ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქართული ენის

სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის

2015 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში

თბილისი

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი (ი. ჭავჭავაძის 13, ტელ.: 2 22 03 51).

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათ ფაკულტეტის ქართული ენის სასაწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი: პროფესორი რამაზ ქურდაძე.

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა

ინსტიტუტი შედგება ორი კათედრისაგან:
ა) ქართველური ენათმეცნიერების კათედრა
ბ) ძველი ქართული ენისა და ტექსტოლოგიური კვლევების კათედრა.

ინტიტუტთან არსებობს ორი სამეცნიერო–კვლევითი ცენტრი:
ა) ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო–კვლევითი ცენტრი (*ცენტრის ხელმძღვანელი : ფილ. მეცნ. დოქტორი პატიკო ცხადაია)*

ბ) ქართულ ხელნაწერთა შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრი „ორიონი“ (*ხელმძღვანელი: აკადემიკოსი მზექალა შანიძე*) .

*** სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:**
პროფესორი **რამაზ ქურდაძე,**
პროფესორი **დარეჯან თვალთვაძე,**
ასოცირებული პროფესორი **კახა გაბუნია,**
ასოცირებული პროფესორი **ინგა სანიკიძე,**
ასოცირებული პროფესორი **სალომე ომიაძე,**
ასოცირებული პროფესორი **რუსუდან ზექალაშვილი,**
ასოცირებული პროფესორი **მაია ლომია,**
ასოცირებული პროფესორი **ქეთევან მარგიანი-სუბარი,**
ასოცირებული პროფესორი **ნინო შარაშენიძე,**
ასოცირებული პროფესორი **გიული შაბაშვილი,**
ასოცირებული პროფესორი **ანა ხარანაული,**
ასოცირებული პროფესორი **ლელა ციხელაშვილი,**
აკადემიკოსი **მზექალა შანიძე,**
მკვლევარი **მარინე ოდიკაძე**
პროფესორი **პატიკო ცხადაია,**
უფროსი ლაბორანტი **დოდო შონია,**
პროფესორის ასისტენტი **მაია მადუაშვილი,**
ლაბორანტი **სოფია შამუგია,**
ლაბორანტი **დოდო ქიტუაშვილი,**
ლაბორანტი **გიორგი ქიტოშვილი**
ლარობარნტი **თინათინ ჯიქუარშვილი**

I. 1. <u>საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით</u> 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	პროგრამა „ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა და მონიტორინგი“, ქვეპროგრამა „ეროვნულისასწავლო გეგმის განვითარება, განათლების მეცნიერებები	თ. ჯაყელი – ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულების ხელმძღვანელი, ეროვნული სასწავლო გეგმების სამმართველო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	**სალომე ომიაძე** – წიგნიერების ექსპერტი
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე) პროექტის ფარგლებში შეიქმნა წიგნიერების კონცეპტუალური ჩარჩო, რომელიც საფუძვლად დაედება საგნობრივი წიგნიერების განსავითარებელი ინსტრუმენტების შექმნას.			
2	“ჟესტური ენის სწავლების ხელშეწყობა”, განათლების მეცნიერებები	ჟ. კვაჭაძე – ინკლუზიური განათლების ექსპერტი.	**სალომე ომიაძე** – სმენის დარღვევის მქონე პირთა განათლების სპეციალისტი; თ. ჯიქიძე – მასწავლებელი, ჟესტური ენის სპეციალისტი; თ. ჯაყელი – მულტილინგვური

			განათლების სპეციალისტი
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე) ჟესტური ენის სწავლების მეთოდიკაზე დაყრდნობით, პროექტის ფარგლებში შეიქმნა 10-სერიიანი სასწავლო ფილმის სცენარი.			

I. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№1	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საკონფერენციო გრანტი (CF/5/2-161/14) პროექტისათვის "გადამწერის შეცდომებიდან ახალ ტექსტებამდე - რატომ შეიძლება შეიცვალოს წმიდა წერილი"	რუსთაველის ფონდი	**ანა ხარანაული**	თ. ჯიქურაშვილი, ა. მაისურაძე, ნ. ნაჭყებია, გ. ქიტოშვილი
დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე) **კონფერენციის თეორიული და პრაქტიკული შედეგები:** კვლევის ახალი მიმართულებების დასახვა, კვლევის მეთოდიკის, ცნებებისა და ტერმინოლოგიის კოორდინირებული გამოყენება, ბიბლიის ძველი თარგმანებისადმი (მათ შორის,				

ქართულისადმი) ინტერესის აქტუალიზაცია და ახალი კუთხით წარმოჩენა, ქართული მეცნიერების პოპულარიზაცია და მისი საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისათვის წარდგენა ინსტიტუციურ დონეზე. კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები სტატიების სახით დაიბეჭდება თემატურ კრებულში De Septuaginta Investigationes (DSI), გამომცემლები: ანელი ემელეუსი, დრუ ლონგჭორნი, ნათია მიროტაძე.

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2	სივრცე და დრო ქართველურ ენებში (ქართველოლოგია: ქართველური ენათმეცნიერება)	შოთა რუსთაველის ეროვნულისამეცნიერო ფონდი	პროფ. მანანა თანდაშვილი, *თანახელმძღვანელი* პროფ. იზაბელა ქობალავა	პროფ. მანანა თანდაშვილი, პროფ. იზაბელა ქობალავა, ასოც. პროფ. **მაია ლომია,** ასოც. პროფ. რუსუდან გერსამია, დოქტ. ნანა ლოლაძე, დოქტ. მედეა საღლიანი, მაგისტრი ირმა ხარამიშვილი.

დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

აღნიშნულ გრანტზე სამწლიანი მუშაობა დასრულდა მიმდინარე წლის დეკემბრის თვეში. ამ ხნის მანძილზე აღიწერა და გაანალიზდა სივრცულ და დროულ მიმართებათა ლექსიკურ-გრამატიკული საშუალებები ქართველური ენების ვრცელი ემპირიული მასალის მიხედვით. ქართველურ ენათა მასალის შედარება-შეჯერების საფუძველზე გამოვლინდა საერთოქართველური ტენდენციები და თითოეული ქართველური ენის სპეციფიკა. მიღებული შედეგები მნიშვნელოვანია **თეორიული** თვალსაზრისით: ხელს უწყობს როგორც საკუთრივ ქართველურ ენათა ისტორიისა და ტიპოლოგიის განსაზღვრას, ასევე ქართველურ ენათა მასალის ჩართვას ზოგადენათმეცნიერულ, ზოგადტიპოლოგიურ და კულტუროლოგიურ კვლევებში. **პრაქტიკული** თვალსაზრისით, ხელს უწყობს ქართულისა და სხვა ქართველური ენების, ასევე ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლებას.

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
3	მეორე ენის	შოთა რუსთაველის	**გიული**	გიული

	სწავლების სოციოკულტურული ასპექტები	ეროვნული სამეცნიეორ ფონდი	**შაბაშვილი**	შაბაშვილი

დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

კვლევის ჩატარება:
კვლევა განხორციელდა ფრაიბურგის პედაგოგიური უნივერსიტეტის (გერმანია) ბაზაზე. მომწვევი პროფესორი: ოლივერ მენცი, დეკანი, პროფესორი. კვლევის ხანგრძლივობა: ერთი თვე, 2015 წლის 10 ივნისი - 10 ივლისი. ვიზიტის პერიოდში განხორციელდა პროექტში გათვალისწინებული ყველა დასახული ამოცანა და მიღწეულ იქნა კონკრეტული შედეგები.

თეორიული ლიტერატურის მოძიება:
უნივერსიტეტის ბაზაზე მოძიებულ იქნა შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა, როგორც უახლესი ბეჭდური გამოცემები, ისე ელქტრონული რესურსები.

ემპირიული მასალის მოძიება:
ემპირიული მასალის მოძიების მიზნით ფრაიბურგის პედაგოგიური უნივერსიტეტის ბაზაზე განხორციელდა რამდენიმე აქტივობა: კითხვარების შემუშავება და შევსება, ინტერვიუს ჩაწერა, სკოლებში გაკვეთილებზე დასწრება.

კითხვარების შემუშავება და შევსება:
სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავებისა და ფრაიბურგის უნივერსიტეტის კოლეგებთან კონსულტაციების შედეგად შემუშავდა სპეციალური კითხვარი, რომელიც ასახავდა სოციოკულტურული კომპეტენციის სწავლების პრობლემასთან დაკავშირებულ აქტუალურ და თანამედროვე საკითხებს. გარდა ამისა, კითხვარის მიზანი იყო იმის გამოვლენა, თუ რამდენად ააქტიურებენ კულტურულ კომპეტენციას პედაგოგები მეორე ან უცხო ენის სწავლებისას, რა მეთოდებსა და საშუალებებს იყენებენ ამ მიზნით და რა ხელისშემშლელი ფაქტორები შეიძლება არსებობდეს აღნიშნული ამოცანის მიღწევისას. შევსებული კითხვარის ნიმუში თან ახლავს ანგარიშს. ოცი კითხვარი დაურიგდა ფრაიბურგის უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალსა და ფრაიბურგის რეგიონში არსებული სკოლის პედაგოგებს. კითხვარების ანალიზის შედეგად გამოვლინდა კულტურის სწავლების მნიშვნელობა მეორე ან უცხო ენის დაუფლებისა და სწავლების პროცესში. როგორც შევსებული კითხვარებიდან ირკვევა, პედაგოგები კულტურის სწავლებას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ არა მარტო შემსწავლელის ენობრივი კომპეტენციის ამაღლების თვალსაზრისით, არამედ მათი კულტურისა და იდენტობის გააზრების მხრივ. კითხვარებში ჩანს ასევე ის კონკრეტული მეთოდები, რომლებსაც მასწავლებლები იყენებენ მეორე და უცხო ენების სწავლების პროცესში: მედიასაშუალებები და გამოყენებული მასალის განხილვა, დისკუსია, ნაციონალური და სამიზნე კულტურების შედარება, სტუდენტების/მოსწავლეების მშობლიური ენის გამოყენება, პრეზენტაციები და ა. შ. კითხვარებში მოცემული ინფორმაცია და მისი ანალიზი საფუძვლად დაედება შემდგომ მონოგრაფიულ კვლევას.

ინტერვიუ:
კვლევის განხორციელების პერიოდში ჩაწერილ იქნა ჩაღრმავებული ინტერვიუ უნივერსიტეტის 3 პროფესორთან და სკოლის 2 პედაგოგთან. ინტერვიუში სკოლის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგაკვეთილო პროცესში ძალიან რთულია კულტურული კომპონენტების ჩართვა დროის სიმცირის გამო. გარკვეულ შემთხვევებში კულტურული კომპეტენცია არ აისახება სათანადო სასწავლო მასალებშიც. რაც შეეხება უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს, გამოკითხულთა აზრით, კულტურული კომპეტენცია წარმატებული კომუნიკაციის გადამწყვეტი წინაპირობაა. კულტურული ასპექტების სწავლებისათვის განსაკუთრებით

მნიშვნელოვანია სწორი და ადეკვატური მეთოდოლოგიის გამოყენება, რომლებიც ზუსტად შეესაბამება სწავლების კონკრეტულ პერიოდში მისაღწევ მიზანს. ინტერვიუს შედეგები და მათი ანალიზი აგრეთვე იქნება გამოყენებული შემდგომ მონოგრაფიულ კვლევაში.

სკოლაში გაკვეთილებზე დასწრება

ფრაიბურგის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დახმარებით კვლევის განხორციელების პროცესში შესაძლებელი გახდა ფრაიბურგის მიმდებარე რეგიონებში საჯარო სკოლებში საგაკვეთილო პროცესზე დასწრება. პედაგოგიური პრაქტიკის დროს სტუდენტებმა ჩაატარეს გაკვეთილი ინგლისურ ენაში. ენის სწავლებისას მათ გამოიყენეს სხვადასხვა თანამედროვე საშუალება, მათ შორის მედია, მოსწავლეების წამახალისებელი აქტივობები და კულტურული კომპეტენციის დაუფლებაზე ორიენტირებული სავარჯიშოები. რაც ყველაზე საინტერესო იყო, სტუდენტების მიერ ჩატარებული გაკვეთილების შემდეგ მოეწყო მათი სამუშაოს განხილვა, ანალიზი და შეფასება. გამოთქმული შენიშვნები კულტურული ასპექტების სწავლებასთან დაკავშირებით ღირებული აღმოჩნდა კვლევისათვის.

კონსულტაციები, დისკუსიები

ვიზიტის დროს მუდმივად მიმდინარეობდა შეხვედრები და კონსულტაციები ფრაიბურგის უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან, მიმდინარეობდა მსჯელობა ენის სწავლების პროცესში გამოყენებული მეთოდების, მათი მნიშვნელობისა და მიღებული შედეგების შესახებ. კონსულტაციებისა და დისკუსიიის დროს შემუშავდა კითხვარებისა და ინტერვიუებისათვის აუცილებელი შესაბამისი კითხვები.

ვორკშოფზე დასწრება

ვიზიტის პერიოდში უნივერსიტეტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის დეპარტამენტის ინიციატივით გაიმართა ვორკშოფი თემაზე: დაბალანსებული სწავლება. შეხვედრაზე სწავლების აღნიშნული თანამედროვე მიდგომის ფარგლებში საუბარი იყო აგრეთვე კულტურული ასპექტების მნიშვნელობაზე მეორე ენის სწავლების პროცესში. განხილულ იქნა კონკრეტული მეთოდები, მათ შორის მედიასაშუალებების შესაბამისიი გამოყენების პირობები.

მიღებული შედეგები:

მოძიებულ იქნა ემპირიული და თეორიული მასალა თანამედროვე საგან-მანათლებლო სივრცეში კულტურის სწავლებასთან დაკავშირებით არსებული მიდგომების შესახებ.

ჩატარებული კვლევის შედეგები და მათი ანალიზი აისახება შემდგომ კვლევაში, შემუშავებული მეთოდის საფუძველზე ჩატარდება ანალოგიური კვლევა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეშიც.

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულე-ბის მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულე ბლები
4	ქართული ენის დიალექტების მორფოლოგია	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი.	ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი გოგოლაშვილი	გიორგი გოგოლაშვილი გიორგი ცოცანიძე ნინო ჭუმბურიძე **ნინო**

				შარაშენიძე
№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
5	ზემოსვანური (ენგურისა და კოდორის ხეობათა) ტექსტების მორფონოლოგიური სეგმენტაცია (გამოკვლევა და სიმფონია-ლექსიკონი ქართულ-ინგლისური ვერსიითურთ) (ქართველოლოგია, ენათმეცნიერება)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	**ქეთევან მარგიანი-სუბარი**	**ქეთევან მარგიანი-სუბარი** ი. ჩანტლაძე რ. იოსელიანი

დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

საგრანტო პროექტის “ზემოსვანური (ენგურისა და კოდორის ხეობათა) ტექსტების მორფონოლოგიური სეგმენტაცია (გამოკვლევა და სიმფონია-ლექსიკონი ქართულ-ინგლისური ვერსიითურთ”) ფარგლებში პირველად შეიქმნა და გამოსაცემად მომზადდა სვანური ენის მორფემული ლექსიკონი, რომელშიც წარმოდგენილია 48-ვე გრაფემაზე დაწყებულ ლექსემათა ინდექსი (1500 კომპიუტერული გვერდი), თარგმნილი ქართულად და ინგლისურად, თითოეულ სალექსიკონო ერთეულთან წარმოდგენილია მათი მორფონოლოგია მომდინარეობის ჩვენებით, ასევე, სახელობითი ბრუნვის (სახელებთან) და მასდარის (ზმნებთან) ფორმები; ინდექსი სრულად მოიცავს დღემდე გამოქვეყნებულ ბალსზემოურ და ბალსქვემოურ ტექსტებს; ამ მიმართულებით სამეცნიერო კვლევის ობიექტი პირველად არის კოდორის ხეობის მეტყველება (საერთოდ, პირველად შემოდის მიმოქცევაში კოდორის ხეობის მეტყველების მასალები), ამდენად, პროექტის ამოცანის შესაბამისად, პირველად დამუშავდა კოდორის ხეობის მცხოვრები სვანებისგან 2008 წლის ომამდე მოპოვებული და შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებული კოდორული მეტყველების ნიმუშები (კოდორული ქრონიკები”, თბილისი, 2010, გვ. 1-836), რასაც დაემატა გამოუქვეყნებელი ტექსტების მორფონოლოგიაც.

ნაშრომში განხილული მასალა ნათელ წარმოდგენას მისცემს მკითხველს თანამედროვე ზემოსვანური დიალექტების ფონოლოგიური სისტემის, მორფონოლოგიური კანონებისა (აბლაუტი, ორფუძიანი ბრუნება, მყოფადისა თუ თურმეობითთა წარმოება, ორთა და ხუთთა ფორმები – ექსკლუზივი, ინკლუზივი...,

ევიდენციალობის მორფოლოგიური კატეგორია და ა. შ) შესახებ.

კვლევისას განსაკუთრებით გაესვა ხაზი არქაიზმებსა და ინოვაციებს, საჭიროების მიხედვით გაკეთდა არაერთი სქოლიო, ელიზიურ ფორმებთან პროცესის სიცხადისთვის დამოწმებულია სათანადო საილუსტრაციო მასალა; ყოველივე ეს ერთი-ორად ზრდის ნაშრომის ლინგვოკულტუროლოგიურ და ინტერდისციპლინარულ მნიშვნელობას.

გამოცემის შემთხვევაში წიგნი გამოადგებათ მაგისტრანტებს, დოქტორანტებს, როგორც ქართველ, ასევე უცხოელ ქართველოლოგებს, რომელთაც განსაკუთრებით გაუადვილდებათ ამ ურთულესი უმწერლობო ქართველური ენის – სვანურის მეცნიერული შესწავლა.

I. 4.

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	თანამედროვე რუსთველოლოგიური კვლევებით კომენტირებული *ვეფხისტყაოსანი*	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (პროექტი N FR/412/1-20/14);	აკად. ე. ხინთიბიძე	ელგუჯა ხინთიბიძე, ზაზა ხინთიბიძე **დარეჯან თვალთვაძე** თამთა გრიგოლია

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

საგრანტო პროექტის სახელწოდება - თანამედროვე რუსთველოლოგიური კვლევებით კომენტირებული *ვეფხისტყაოსანი*

საგრანტო პროექტის ხანგრძლივობა: 36 თვე. 2015 წლის აპრილიდან - 2017 წლის აპრილამდე

საგრანტო პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი: აკად. ელგუჯა ხინთიბიძე

პროექტის ძირთადი შემსრულებლები: აკად. ელგუჯა ხინთიბიძე, პროფ. დარეჯან თვალთვაძე, ასოც. პროფ. ზაზა ხინთიბიძე

პროექტის მიზანი და კვლევის აქტულობა: პროექტის მიზანია *ვეფხისტყაოსნის* მთლიანი ტექსტის თანმიმდევრული (სტროფების, მონაკვეთების, ეპიზოდების მიხედვით) მეცნიერული კომენტირება თანამედროვე რუსთველოლოგიური კვლევების პოზიციიდან და ახლებური მეთოდოლოგიით სათანადო წყაროებზე და ბიბლიოგრაფიაზე მითითებით.

2015 წელს მოხდა საკვლევი პრობლემის შესახებ მეცნიერული მეთოდოლოგიით შესრულებული სამეცნიერო ნაშრომების შესწავლა და ურთიერთშეჯერება, რუსთველოლოგიური ბიბლიოგრაფიის შესწავლა-შევსება, ძირითადი რუსთველოლოგიური ნაშრომების ანოტირება და დაიწყო ვეფხისტყაოსნის ტექსტის კომენტირების I ეტაპი (დასაწყისი თავები).

პროექტი დასრულდება 2017 წელს.

№	პროექტის დასახელება მეცნიერების	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

	დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით			
2	„ლუკას სახარების ძველი ქართული თარგმანის აკადემიური გამოცემის მომზადება“	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (საგრანტო პროექტი N 31/64)	პროფ. **დარეჯან თვალთვაძე**	მზექალა შანიძე **დარეჯან თვალთვაძე მარინა ოდიკაძე** სოფიო სარჯველაძე ელგუჯა გიუნაშვილი ეკა კვირკველია

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

საგრანტო პროექტის სახელწოდება „ლუკას სახარების ძველი ქართული თარგმანის აკადემიური გამოცემის მომზადება“

საგრანტო პროექტის ხანგრძლივობა: 36 თვე. 2013 წლის 25 აპრილიდან - 2016 წლის 25 აპრილამდე

საგრანტო პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფ. დარეჯან თვალთვაძე

პროექტის მონაწილენი: აკად. მზექალა შანიძე, ფილოლოგიის დოქტორი ელგუჯა გიუნაშვილი, დოქტორანტები: სოფიო სარჯველაძე და ეკა კვირკველია.

პროექტის მიზანი და კვლევის აქტუალობა: პროექტის მიზანია ახალი აღთქმის წიგნის, ლუკას სახარების, ძველი ქართული თარგმანის ყველა უძველესი სრული თუ ფრაგმენტული ხელნაწერის მიხედვით აკადემიური ტექსტის გამოსაცემად მომზადება.

ბიბლიის ტექსტის კვლევის თანამედროვე ეტაპზე მეტად აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს ახალი აღთქმის თითოეული წიგნის შესწავლა და ამ წიგნების რედაქციების აკადემიურად მომზადებული ტექსტის პუბლიკაცია. მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ცენტრებში შეისწავლება და გამოსაცემად მზადდება ძველი და ახალი აღთქმის ცალკეული წიგნების აკადემიური ტექსტები ძველ ბერძნულ, ებრაულ, სირიულ, კოპტურ და სხვა ენებზე. ხშირ შემთხვევაში შეისწავლება და გამოიცემა ცალკეული უძველესი და უმნიშვნელოვანესი ხელნაწერები. ამოცანის მიხედვით, აკადემიური ტექსტი დგინდება მოცემულ ენაზე არსებული ყველა უძველესი (თარგმანების შემთხვევაში) ან რედაქციის ფარგლებში წარმომადგენელი ხელნაწერების მიხედვით (ახალი აღთქმის ბერძნულ ენაზე შესრულებული ტექსტების შემთხვევაში). უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბიბლიის თითოეული წიგნის ორიგინალისა და მისი უძველესი თარგმანების ურთიერთმიმართების შესწავლას.

კვლევის ობიექტი - ლუკას სახარების ძველი ქართული თარგმანი - მოცემულია V-XV საუკუნეების 40-მდე ხელნაწერში (წინაათონური რედაქციის ტექსტი,რომელებიც გიორგი მთაწმიდლამდე შექმნილი რედაქციების ტექსტს შეიცავენ) და XI-XIX საუკუნეების 250-მდე ხელნაწერში (გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის ტექსტი). თავად ოთხთავის ხელნაწერთა გარდა, სახარებათა ტექსტები დაცულია VIII-XI საუკუნეების ძველ ქართულ ლექციონარებშიც. პროექტის შემსრულებლები გეგმავენ შეისწავლონ და დაადგინონ ლუკას სახარების ტექსტი გიორგი მთაწმიდლის რედაქციამდე არსებული ყველა ხელნაწერისა და ლექციონართა საკითხავების მიხედვით, გიორგი მთაწმიდლის რედაქციის ტექსტი კი მისი XI-XIV საუკუნეების 15 ხელაწერის მიხედვით.

ლუკას სახარების ტექსტი ელექტრონულ ვერსიაში წარმოდგენილი იქნება შემდეგი

სახით: ლუკას სახარების თითოეული მუხლის აკადემიურად დადგენილი ტექსტი ჩაიწერება რედაქციათა მიხედვით, ჯგუფებისა და ქვეჯგუფების მიხედვით ცალ-ცალკე, ჰორიზონტალურად ისე, რომ მკითხველის ნათელი წარმოდგენა შეექმნას, თუ რომელ ხელნაწერში რა ტექსტი იკითხება. მუხლებს ქვევით დართული იქნება სქოლიოები, სადაც მიეთითება, თუ რომელი ხელნაწერის მიხედვითაა წარმოდგენილი ეს ტექსტი და რომელ მანუსკრიპტშია ამ ადგილას ლაკუნა. იქვე განთავსდება ხელნაწერთა ვარიანტული წაკითხვები, სადაც აისახება მცირე სხვაობები, ორთოგრაფიული და კალმისეული შეცდომები. ამგვარადვე მომზადდება და სახარების ძირითად ტექსტს დაერთვება ლუკას სახარების ძველ ქართულ ლექციონარების საკითხავებში დაცული ტექსტიც.
პროექტი ეძვს ამოცანად დაიყო.
2015 წლის დეკემბრისთვის შესრულებულია შემდეგი სამუშაოები:

- დადგენილია ლუკას სახარების ათონური რედაქციის ტექსტი (15 უძველესი ხელნაწერის მიხედვით);
- დადგენილია ლუკას სახარების წინარეათონური რედაქციების ტექსტი (25 უძველესი სრული და ფრაგმენტული) ხელნაწერის მიხედვით;
- შესაწავლილია ლექციონარების საკითხავებში დაცული ლუკას სახარების ტექსტი;
- დაწყებულია მუშაობა ლუკას სახარების აკადემიური ტექსტის საბოლოო რედაქტირებასა და ელექტრონული ვერსიის გამოსაცემად მომზადებაზე.
- საგრანტო პროექტის ფარგლებში მომზადდა 3 სტატია და 3 მოხსენება.

№3	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევების გრანტი(FR/309/2-161/13) პროექტისათვის “გელათის კატენებიანი ბიბლია. “ლევიტელთა”, “რიცხუთა”, “II სჯული” (ტექსტის დიპლომატური გამოცემა და გამოკვლევა)”	რუსთაველის ფონდი	**ანა ხარანაული**	დ. მელიქიშვილი, ვ. ჯუღელი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

1. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერებიდან A-1108 და Q-1152 ელექტრონული ფორმით გადმოიწერა ”ლევიტელთას”,“რიცხუთას”, “II სჯულის” კატენის ტექსტები. სამუშაო შეასრულეს ანა მაისურაძემ და თინათინ ჯიქურაშვილმა
2. ტექსტების ელექტრონული ვერსია ხელნაწერების მიხედვით შეამოწმეს, ტექსტი დაადგინეს და კრიტიკული აპარატი შეადგინეს ა. ხარანაულმა, ვ. ჯუღელმა, დ. მელიქიშვილმა, ნ. მიროტაძემ
3. ქართული ტექსტები ბერძნულ კატენების ტექსტებს შეუდარეს და №2 კრიტიკული აპარატი შეადგინეს ა. ხარანაულმა, ვ. ჯუღელმა, დ. მელიქიშვილმა, ნ. მიროტაძემ

1. შესწავლილ იქნა ბერძნული კატენური ხელნაწერების აღწერილობები, დადგინდა კატენისა და კიმენის ტექსტუალური ტიპები.
2. ქართული ხელნაწერების კატენების ტექსტი შეუდარდა ე.წ. ნიკიფორეს კატენებს.
3. ქართული ხელნაწერების კატენების ტექსტი სქემატურად შეუდარდა ბერძნულ ხელნაწერებს (313, 73, 615, 52)
4. თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის მუდმივმოქმედი სემინარისთვის "ბიბლიის ფილოლოგია" მომზადდა მოხსენება "კატენური კრებულების ისტორია" - მომხს. ანა ხარანაული

1. შედგა ე.წ."სარკე"" "ლევიტელთას",“რიცხუთას”, “II სჯულის” კომენტარების ბერძნული
და ქართული ხელნაწერების
ფორმალური აღწერა ლემის, კომენტარების, ავტორების, ნუმერაციის, მიმდევრობის, დასაწყისისა და დასასრულის მითითებით
2. თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის მუდმივმოქმედი სემინარისთვის "ბიბლიის ფილოლოგია" მომზადდა მოხსენება"***ლევიტელთა, რიცხუთა და მეორე სჯულის*** **წიგნების კომენტარების სტრუქტურა"** - მომხს. ანა ხარანაული, ვიქტორია ჯუღელი

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
4	“უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ხელშეწყობის პროგრამის“ (პროგრამული კოდი 32 04 04) **„ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების“** ქვეპროგრამა	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	ფილ. მეცნ. დოქტორი, პროფ. მ. ოძელი, საქ. განათლ. და მეცნ. სამინისტროს ქართული ენის სამმართველოს უფროსი	პროგრამისტი ტატიანა საბანაძე; მხატვარი: ქეთი ლომაშვილი; ძირითადი პერსონალი: მანანა ერქომაიშვილი, **რუსუდან ზექალაშვილი,** თინათინ კიღურაძე, ეკა ქუთათელაძე, ლევან ლომინაძე, თამუნა წიკლაური

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

პროექტი რამდენიმეწლიანია და ითვალისწინებს ვებგვერდის – “ქართული, როგორც უცხო ენა” – შექმნას არაქართველენოვანთათვის, A1 – B2 დონეების მიხედვით (ევროპული სტანდარტების შესაბამისად). ვებგვერდზე განთავსებულია სახელმძღვანელოები, სამუშაო რვეულები, მეთოდური სახელმძღვანელო, საკითხავი

ტექსტები და აუდიოჩანაწერები A1, A2 და B1 დონეებისთვის (http://geofl.ge/№!/page_home). ეტაპობრივად უნდა განთავსდეს ქართული ენის მოკლე გრამატიკა და ფუნქციური გრამატიკა, განმარტებითი ლექსიკონი (ლექსიკის დაყოფით დონეების მიხედვით) და დანარჩენი მასალები (B1 და B2 დონეებისთვის).

ჩემ მიერ 2015 წელს შესრულებულია შემდეგი სამუშაოები:

შედგენილი და რედაქტირებულია "ქართული ენის მოკლე გრამატიკა", შემუშავებულია ვებგვერდისთვის საჭირო ფორმატი და შესაბამისი ბმულები სხვა სასწავლო მასალასთან; ასევე დადგენილია ბმულები "ქართული ენის მოკლე გრამატიკისა" და ფუნქციური გრამატიკისთვის;

ჩატარებულია მოსამზადებელი სამუშაო ქართული ენის ფუნქციური და სისტემური გრამატიკის ინტეგრირებისთვის ვებგვერდზე;

რედაქტირებული და გამოცემულია ბროშურები ქართული ენის შესახებ (ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ დასხვა ენებზე);

რედაქტირებული და კორექტირებულია პროგრამის ფარგლებში შექმნილი სხვა სასწავლო მასალა: შედგენილია ლექსიკონი "ქართულის, როგორც უცხო ენის" A1 და A2 დონეების საკითხავი წიგნებისთვის;

შექმნილია ლექსიკის თემატური კლასიფიკაციის სქემა სასწავლო ლექსიკონისთვის;

დადგენილია ლექსიკური მინიმუმი A1 და A2 დონეებისათვის;

შემუშავებულია A1 დონის ქართული ენის სასწავლო განმარტებითი ელექტრონული ლექსიკონის ძირითადი პრინციპები.

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	შოთა რუსთაველის ეროვნულისამეცნიერო ფონდი	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
5	ფონოსემანტიკური ლექსიკა ქართველურ ენებში ქართველოლოგია: ქართველური ენათმეცნიერება)	შოთა რუსთაველის როვნული სამეცნიერო ფონდი	ასოც. პროფ. რუსუდან გერსამია	ასოც. პროფ. რუსუდან გერსამია, ასოც. პროფ. **მაია ლომია**, პროფ. ზაალკიკვიძე, დოქტ. ნონა მამისეიშვილი, დოქტ. მედეა საღლიანი, დოქტ. ნატოშა ვრეშიანი
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

სამეცნიერო პროექტის ფარგლებში მუშაობის ძირითადი დრო – 5 ეტაპი დასრულდა, დარჩა 1 ეტაპი/6 თვე. ამ ხნის განმავლობაში **დამუშავდა**: ფონოსემანტიკასთან დაკავშირებული ზოგადთეორიული მიმოხილვა, ქართველურ ენათა ფონოსემანტიკური ლექსიკის ასახვის პრობლემები ლექსიკონებში და მათი თარგმანის სპეციფიკა; აღიწერა ფონოსემანტიკური მოდელები, ამ ტიპის ლექსიკაში მიმდინარე ფონოლოგიური მოვლენები, მორფონოლოგიური ხერხები, გაანალიზდა მორფოლოგიის სპეციფიკური საკითხები. მიღებული **შედეგები** მნიშვნელოვანია ზოგადთეორიული, ზოგადტიპოლოგიური და პრაქტიკული თვალსაზრისითაც; კერძოდ, ხელს შეუწყობს ამ ტიპის ლექსიკის სწავლებისა და თარგმანის მეთოდოლოგიის ჩამოყალიბებას.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	შალვა ტაბატაძე, ნათია გორგაძე, **კახა გაბუნია**	კვლევის ანგარიში: ეთნიკურ უმცირესობათა სკოლების მასწავლებლების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდისათვის (ინგლისურ ენაზე)	თბილისი, „საიმედო“	180
ანოტაცია ქართულ ენაზე კვლევა ეხებოდა უმცირესობათა სკოლებში არსებულ საგანმანათლებლო პრობლემებს, მათ შორის - ქართული ენის სწავლების საკითხებს.				
2	კახა გაბუნია	მარტივი წინადადების ანალიზის პრინციპები თანამედროვე ქართულ ენაში.	თბილისი, „საიმედო“	240
ანოტაცია ქართულ ენაზე ნაშრომი ეხება მარტივი წინადადების ანალიზის მეთოდლოგიურ იმანენტიზმზე დაფუძნებული პრინციპების გამოყენებას ქართული ენის მაგალითზე.				
	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
3	**პაატა ცხადაია**	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული სახელწოდებანი	თბილისი, „უნივერსალი“	317

ანოტაცია ქართულ ენაზე

2004 წელს გამოცემული „წალენჯიხის რაიონის ტოპონიმია“ ძირითადად მოიცავს 1969-1970 წლებში მოპოვებული მასალის მხოლოდ ერთ ნაწილს. ამასთანავე სალექსიკონო ერთეულები მხოლოდ შიდაენობრივი ასპექტით არის გაანალიზებული. განვლილ ათწლეულში ქართული ჰუმანიტარული მეცნიერება გამდიდრდა ახალ-ახალი გამოკვლევებით ენათმეცნიერების, ისტორიის, ეთნოგრაფიის დარგებში, გამოიცა ფუნდამენტური ლექსიკონები მეგრული ენისა. ყოველივე ამან ტოპონიმიის მკვლევარს დამატებითი შესაძლებლობა მისცა გეოგრაფიული სახელწოდების გარეენობრივი ანალიზისა.

ამჯერად წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ლექსიკონში შევიდა 45 წლის წინათ მოპოვებული მთელი მასალა.

რედაქტორი – მერაბ ჩუხუა.

სარედაქციო ჯგუფი - გვანჯი მანია, ზაურ ფიფი, ოლეგ სალია

	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
4	**პაატა ცხადაია**	**.ქართველური ონომასტიკა, VII**	თბილისი, „უნივერსალი”	512

ანოტაცია ქართულ ენაზე

მართალია, 2005 წელს თსუ-ს სამეცნიერო ცენტრებსა და ლაბორატორიებს თავსდატეხილმა უბედურებამ (გაუქმება და მეცნიერ-მუშაკთა მიმოფანტვა) ფაქტიურად „ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ საქმიანობის პარალიზება გამოიწვია (შეწყდა მთავარი რამ, რისთვისაც 1969 წელს ახალი ქართული ენის კათედრასთან შეიქმნა „ტოპონიმიკის ლაბორატორია“, რომლის მთავარი მიზანი იყო საქართველოს ყველა რაიონის ტოპონიმთა აღწერა-აღნუსხვა და რეგიონების მიხედვით შესაბამისი ენციკლოპედიური ლექსიკონების გამოცემა), მაგრამ, მიუხედავად ამისა, დასახული მიმართულებით მუშაობა გრძელდებოდა, კერძოდ, ტარდებოდა რეგიონთაშორისი ონომასტიკური სამეცნიერო სესიები და გამოიცა „ქართველური ონომასტიკის“ სამი წიგნი, რომლებშიც სტუდენტთა სამეცნიერო სტატიებიც დაიბეჭდა.

რედაქტორი პაატა ცხადაია

რეცენზენტები: შუქია აფრიდონიძე, მანანა ბუკია, რამაზ ქურდაძე, იგორ კეკელ

	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
5	**გიორგი ქიტოშვილი**	კაჭრეთისა და ჯიმითის ონომასტიკური მასალა	თბილისი, „უნივერსალი”	92

ანოტაცია ქართულ ენაზე

წინამდებარე გამოცემაში წარმოდგენილია გურჯაანის მუნიციპალიტეტის კაჭრეთისა და ჯიმითის ადმინისტრაციული ერთეულების სოფლების - კაჭრეთის, ზემო კაჭრეთის, ჯიმითისა და ნანიანის ონომასტიკური მასალა. გამოცემის რამდენიმე ქვეთავი ეთმობა ზემოხსენებული ოთხივე სოფლის ტოპონიმურ მასალას - როგორც უშანგ სახლთხუციშვილის მიერ ჩაწერილს ისე ჩემ მიერ დაზუსტებულსა და შევსებულს.

რედაქტორი **პაატა ცხადაია**

	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
6	**ქეთევან გოდერძიშვილი**	ცხინვალის რეგიონის გეოგრაფიული სახელები	თბილისი, „უნივერსალი”	155

	ანოტაცია ქართულ ენაზე ცხინვალის რეგიონში ონომასტიკური ექსპედიციის დროს აღწერილი მასალა (დაახლ. 3600 ერთეული). ტოპონიმები ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსული ოსების ქართლში დამკვიდრებაზეც მეტყველებენ. რედაქტორები: აკად. ავთანდილ არაბული; პროფ. ნაირა ბეპიევი, პროფ. **პაატა ცხადაია** რეცენზენტები: პროფ. როლანდ თოფჩიშვილი; პროფ. ნიკოლოზ ოთინაშვილი, იგორ კეკელია			
	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
7	**თაია ცხადაია**	კავთისხევის ონომასტიკური მასალა	თბილისი, „კლიო“	291
	ანოტაცია ქართულ ენაზე ონომასტიკური ექსპედიციის დროს ჩაწერილი ტოპონიმური, ანთროპონიმული, ზოონიმური რედაქტორი **პაატა ცხადაია**			

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**დარეჯან თვალთვაძე** ნანა გაფრინდაშვილი	ქართული ენა, ლიტერატურის თეორია, ქართული ლიტერატურის ისტორია - სქემები, ტაბულები, სავარჯიშოები, წიგნი I (დამხმარე სახელმძღვანელო)	თბილსი, „საქართველოს მაცნე“	407
	ანოტაცია ქართულ ენაზე დამხმარე სახელმძღვანელოში პირველად ქართულ საგნმანათლებლო სივრცეში ქართული ენისა და ლიტერატურათმცოდნეობის რთული თეორიული და პრაქტიკული საკითხები წარმოდგენილია მარტივად აღსაქმელი ტაბულებისა და სქემების სახით, რაც მკითხველს უიოლებს მასალის გაგებას, დამახსოვრებასა და შესწავლას. წიგნი ორ ნაწილად გამოიცემა. 2015 წელს გამოვიდა მისი პირველი ნაწილი, რომელშიც შეტანილია ქართული ენის გრამატიკისა და ლიტერატურის თეორიის საკითხები, აგრეთვე, სავარჯიშოები ცოდნის შესამოწმებლად და			

განსამტკივცებლად. დამხმარე სახელმძღვანელო ერთგვარი წიგნი-რეპეტიტორია, რომელიც განკუთვნილია მოსწავლეების, სტუდენტების და მასწავლებლებისათვის.

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2	**კახა გაბუნია**	ქართული ენის დაჩქარებული კურსი აზერბაიჯანულენოვანთათვის	თბილისი, თსუ	210

ანოტაცია ქართულ ენაზე:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველოს ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ქართული ენის დაჩქარებული მეთოდით სწავლების პროგრამა „ვისწავლოთ ქართული“; ელემენტარული კურსი.

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
3	**კახა გაბუნია**	ქართული ენის დაჩქარებული კურსი სომხურენოვანთათვის	თბილისი, თსუ	210

ანოტაცია ქართულ ენაზე:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველოს ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ქართული ენის დაჩქარებული მეთოდით სწავლების პროგრამა „ვისწავლოთ ქართული“; ელემენტარული კურსი.

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
4	**კახა გაბუნია**	საქართველოს ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი მრავალფეროვნება	თბილისი, „საიმედო”	310

ანოტაცია ქართულ ენაზე:

სამაგისტრო კურსის რიდერი ბათუმის, გორისა და ქუთაისის განათლების მეცნიერებების პროგრამებისთვის.

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
5	**კახა გაბუნია**	ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების სახელმძღვანელოები (7 დარგობრივი მიმართულებით: მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, გეოგრაფია, ბიოლოგია, სამართალი, ეკონომიკა);	თბილისი, „მერიდიანი“	180

		კონცეფციის ავტორი და მთავარი რედაქტორი.		

ანოტაცია ქართულ ენაზე

სახელმძღვანელოები მომზადდა ქართულ ენაში მომზადების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. გამოიყენება პროგრამის გაზაფხულის სემესტრში კითხვის მიმართულებით.

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
6	**სალომე ომიაძე**, თ. ჯაყელი	ჩვენი სამყარო, I	თბილისი	410

ანოტაცია ქართულ ენაზე

ს. ომიაძე, თ.ჯაყელი, ჩვენი სამყარო I – საგანმანათლებლო რესურსების ნაკრები:

- 8 ორიგინალური მოთხრობა 3 წლის ყრუ და სმენადაქვეითებულ მოზარდთათვის;
- სახელმძღვანელო 3 წლის ყრუ და სმენადაქვეითებულ ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტებისთვის, თბილისი, 2015, 66 გვ.

8 მოდული (I – 42 გვ., II – 40 გვ., III – 40 გვ., IV – 36 გვ., V – 42 გვ., VI – 44 გვ., VII – 56 გვ., VIII – 44 გვ.), თბილისი, 2015.

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
7	**სალომე ომიაძე**, თ. ჯაყელი	ჩვენი სამყარო, II	თბილისი	398

ანოტაცია ქართულ ენაზე

ს. ომიაძე, თ.ჯაყელი, ჩვენი სამყარო II – საგანმანათლებლო რესურსების ნაკრები:

- 8 ორიგინალური მოთხრობა 4 წლის ყრუ და სმენადაქვეითებულ მოზარდთათვის;
- სახელმძღვანელო 4 წლის ყრუ და სმენადაქვეითებულ ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტებისთვის, თბილისი, 2015, 72 გვ.

8 მოდული (I – 45 გვ., II – 40 გვ., III – 42 გვ., IV – 36 გვ., V – 41 გვ., VI – 44 გვ., VII – 56 გვ., VIII – 58 გვ.), თბილისი, 2015.

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
8	**სალომე ომიაძე**, თ. ჯაყელი	ჩვენი სამყარო, III	თბილისი	424

ანოტაცია ქართულ ენაზე

ს. ომიაძე, თ. ჯაყელი, ჩვენი სამყარო III – საგანმანათლებლო რესურსების ნაკრები:

- 8 ორიგინალური მოთხრობა 5 წლის ყრუ და სმენადაქვეითებულ მოზარდთათვის;
- სახელმძღვანელო 3 წლის ყრუ და სმენადაქვეითებულ ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტებისთვის, თბილისი, 2015, 68 გვ.

8 მოდული (I – 40 გვ., II – 38 გვ., III – 40 გვ., IV – 36 გვ., V – 40 გვ., VI – 45 გვ., VII – 56 გვ., VIII – 61 გვ.), თბილისი, 2015.

ყოველი სერია აერთიანებს ერთი ასაკობრივი ჯგუფისთვის განკუთვნილ საგანგებოდ შექმნილ რვა მოთხრობას, რომელთაგან თითოეული ცალკე წიგნადაა დაბეჭდილი. ყოველი მოთხრობის ტექსტს მოსდევს რუბრიკა „მოდი გავიმეოროთ!“, რომელიც ემსახურება ახალი მასალის გაგების შემოწმება-განმტკიცებას. სახელმძღვანელოებში წარმოდგენილია ზოგადი მეთოდოლოგიური რეკომენდაციები, ტიპობრივ აქტივობათა და თამაშთა აღწერა, რვავე ტექსტი და თითოეულში ჩადებული დიდაქტიკური და კოგნიტიურ-ენობრივი ინფორმაციის დეტალური აღწერა. ყოველი მოთხრობით მიწოდებული მასალის გააქტიურებას ეძღვნება იმავე სახელწოდების მოდული, რომელიც ასევე ცალკეა დაბეჭდილი.

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
9	**ნინო შარაშენიძე**	**მიდამო 1, ქართული ენა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის, (ქართული ანბანი, 20 თემა, ლექსიკონი, ტესტები, საჭირო ფრაზები, გრამატიკის მოკლე კურსი, საკითხავი მასალა, აუდიომასალა)**	თბილისი, „გრაფემა”	316

ანოტაცია ქართულ ენაზე

ქართული ენის შესასწავლი სახელმძღვანელო **„მიდამო 1“** შეიქმნა 2014-2015 სასწავლო წელს ქართული ენის კურსისათვის ვილნიუსის უნივერსიტეტში და აპრობირებულია ერთი წლის განმავლობაში.

წიგნის სტრუქტურა. „მიდამო 1“კომუნიკაციური გრამატიკის პრინციპებზეა აგებული და წარმოადგენს ენის ფლობის **A 1 – A 2** დონეს. სახელმძღვანელოს მთავარი ხაზი ქართულ ენაზე კომუნიკაციის აგების მიზანია. ამდენად, წიგნში გათვალისწინებულია ყველა ის საკითხი და თემა, რომლებზეც ენის შემსწავლელი სახელმძღვანელოს დასრულების შემდეგ შეძლებს საუბარს. შეძლებისდაგვარად მოწოდებულია მასალა იმ სირთულეების დასაძლევად, რომლებიც განსაკუთრებულად იგრძნობა ქართული ენის შესწავლისას. **უნიკალური ქა-**

რთული ანბანი, ქართული ენის თავისებური მექანიზმი, ქართული ზმნა - მხოლოდ ამ სირთულეთა დასახელებაც კი საკმარისია, რომ ნათლად გამოჩნდეს ენის შემსწავლელის წინაშე დასმული ამოცანები. წიგნში ყველაფერი ისეა მოწოდებული, რომ ქართული ენით დაინტერესებულ ადამიანებს ამ სირთულეების დაძლევა გაუადვილდეთ და **ძალიან მალე** მიეცეთ იმის შესაძლებლობა, რომ ქართულად ამეტყველდნენ და გარკვეული მოცულობის ტექსტები დამოუკიდებლად შექმნან. ეს მოტივაცია ენის სწავლის პროცესში მნიშვნელოვანი საკითხია მომდევნო რთული ეტაპების გავლისათვის და მეტ სტიმულს აძლევს ენის შემსწავლელს.

თანამედროვე ყოფა წარმოუდგენელია კომპიუტერის გარეშე, ამდენად, ენის შემსწავლელმა ქართული ტექსტების ბეჭდვაც უნდა შეძლოს. წიგნის დასაწყისში მოცემული სქემები სწორედ ამისთვისაა გამიზნული.

ხშირად აღუნიშნავთ, რომ ქართული ანბანი თავის უნიკალურობასთან ერთად, ძალიან ლამაზია. რა თქმა უნდა, კალიგრაფია ცალკე სფეროა და ის თავისებურ ტალანტს გულისხმობს. ლამაზად წერის სწავლება სრულიადაც არაა ამ წიგნის მიზანი, მაგრამ ქართული ასოების მოხაზულობ ენის შემსწავლელისათვის იმ აღფრთოვანებას იწვევს, რაც კიდევ ერთი სტიმული ხდება და სწორედ ამ მიზნით ეს ხაზიც მოწოდებულია სახელმძღვანელოში. **სწორი მიმართულებით წერა, ოთხხაზოვანი სისტემის დაცვა, თითოეული ასოს მოხაზულობა** საფეხურეობრივად მიეწოდება ენის შემსწავლელს, ხოლო ცარიელი ფურცლების გადამრავლებისა და მასზე ვარჯიშის შესაძლებლობა ხალისს ჰმატებს მას. ყოველივე ამის ათვისება ენის შემსწავლელის სურვილზეა დამოკიდებული და, ცხადია, ენის შესწავლის მთავარი მიმართულება არაა, მაგრამ მასზე ყურადღების გამახვილება, შემსწავლელის სურვილის გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია. ასევე სასურველია ენის შემსწავლელმა ქართული ანბანის სხვადასხვა ფონტის წაკითხვაც შეძლოს. ვიზუალური მასალის მიწოდება სწორედ ამ მიზანს გულისხმობს.

სახელმძღვანელო არაქართულენოვანთათვისაა გათვალისწინებული. თარგმანის ან ლექსიკონის აუცილებლობა გადაწყვეტილია ინგლისური ახსნების მოწოდებით, რამდენადაც ეს ენა საერთაშორისოდაა მიჩნეული და ენის შემსწავლელი, სავარაუდოდ, მეტ-ნაკლებად ფლობს მას. ასევე შესასწავლი თემების წინ მოცემულია სავარჯიშოებში გამოყენებული ინსტრუქციების ინგლისური თარგმანი, რაც, ვფიქრობთ, დაეხმარება ენის შემსწავლელს მანამ, სანამ ინსტრუქციების გაგებას თავად შეძლებს.

ოცი თემა წარმოადგენს სახელმძღვანელოს ძირითად ნაწილს. ეს თემები თავისებური პრინციპითაა აგებული:

პირველი გვერდი გარკვეული საკითხის ახსნას ეთმობა სქემით ან ვიზუალური მასალით. იქვე მოცემულია წინადადებები ამ მასალის საილუსტრაციოდ. ეს წინადადებები დასამახსოვრებელი ფრაზებიცაა, ამდენად, სასურველია მისი გააქტიურება ზეპირმეტყველებაში **კითხვა-პასუხის მეთოდის** გამოყენებით. პირველ გვერდზე წარმოდგენილი იქნება **საბაზისო ლექსიკაც.**

მეორე გვერდზე მოცემულია გარკვეულ გრამატიკულ საკითხზე აგებული **ტექსტი** და **დიალოგი.** მთავარი ფორმები გამოკვეთილია (გამუქებულია და დახრილია), რაც მათ დამახსოვრებას, კონსტრუქციებში ათვისებას უწყობს ხელს. საჭიროა ამ ტექსტების არა მარტო წაკითხვა, არამედ კარგად დამუშავება, რადგან **სახელმძღვანელოს მთავარ მიზანს წამოადგენს ის, რომ ენის შემსწავლელმა ეს ტექსტი საკუთარ თავზე გადაიტანოს, საკუთარი მონაცემებით შეავსოს, ისაუბროს პირველი პირით ან შექმნას ტექსტი სხვაზე და ისაუბროს მესამე პირის ფორმებით**. ასე რომ, ეს ტექსტი საკლასო სიტუაციაში კარგადაა დასამუშავებელი. ამავე მიზანს ემსახურება დიალოგიც, რომელიც წაკითხვისა და გაანალიზების შემდეგ სასურველია, კარგად დამუშავდეს საკლასო სიტუაციაში.

მესამე გვერდზე მოცემულია კონკრეტულ საკითხებზე აგებული სავარჯიშოები. ამ სავარჯიშოებით შესასწავლი ფორმები და ძირითადი გრამატიკული ამოცანა დამუშავდება.

მეოთხე გვერდი პროდუცირებას გულისხმობს და ენის შემსწავლელი უკვე დამოუკიდებლად დაწერს წინადადებებს ან შექმნის ტექსტს მოცემული ფორმებისა და თემის გათვალისწინებით. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი და საგულისხმო დავალებაა, რადგან ის ავითარებს როგორც ზეპირ, ისე წერით მეტყველებას და მიღებულ ცოდნას საბოლოოდ უყრის თავს.

თემების ათვისების გასაადვილებლად მას მოსდევს **ლექსიკონი,** რომელშიც თემების მიხედვითაა დალაგებული ახალი ლექსიკა ინგლისური თარგმანით.

სახელმძღვანელოში მოცემულია ცოდნის შესამოწმებელი **ტესტები,** ჯერ **საკითხავი** ტექსტები, რასაც მოჰყვება ყოველი ხუთი თავის შემდეგ შესასრულებელი **ასქულიანი ტესტები.**

ისინი ცოდნის შემოწმებისთვის დაეხმარება როგორც ენის შემსწავლელს, ისე პედაგოგს. ბოლო ტესტი შემაჯამებელი და **გასამეორებელი** ტექსტია. მასში მოცემულია სასაუბრო თემები, რომლებიც გამოავლენს, რამდენად შეუძლია ენის შემსწავლელს ამ თემებზე საუბარი.

სახელმძღვანელოში ასევე წარმოდგენილია **„საჭირო სიტყვები და ფრაზები“.** აქ მოცემული მასალა, რა თქმა უნდა, სრულყოფილად ვერ დამუშავდებოდა ოც თემაში და პირველ დონეზე, მაგრამ ისინი კომუნიკაციისთვის გამოსადეგია, ამდენად ენის შემსწავლელს შეუძლია ეს ფრაზები თემებისაგან დამოუკიდებლად აითვისოს და გამოიყენოს შესაფერის შემთხვევაში. ამ ნაწილის წინ დართული **თემების სია** გაადვილებს საინტერესო თემის მოძებნას და სასურველი ფრაზის შერჩევას, რაშიც ინგლისური თარგმანიც დაეხმარება.

ზოგჯერ ენის შემსწავლელებს სურს მეტი გაიგოს შესასწავლი ენის გ**რამატიკული სისტემის** შესახებ და ისინი სვამენ კითხვებს. პედაგოგი ამის გამო რთულ სიტუაციაში ვარდება, რადგან ენის ფლობის პირველ დონეზე გრამატიკის სისტემის ახსნა ადვილი არ არის. მაგრამ თუ ასეთი ინტერესი ენის შემსწავლელის მხრიდან მაინც ჩნდება, ცხადია, მისი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ენის შემსწავლელზეა დამოკიდებული - ზოგს სისტემის აღქმა ეხმარება კიდეც სწავლის პროცესში. წიგნში ეს გათვალისწინებულია და ამიტომაც მას დამატების სახით დართული აქვს სპეციალური ნაწილი **„ქართული ენის გრამატიკის მოკლე კურსი“** ინგლისურ ენაზე. ამ ნაწილში არის მცდელობა ქართული ენის გრამატიკის შესახებ ინფორმაცია სისტემის დონეზე აღიწეროს. ეს საკითხი მცირე ახსნებისა და მეტი რაოდენობის სქემების მიწოდებითაა გადაწყვეტილი. ეს ნაწილი სრულდება „**ზმნების მოზაიკით",** რომელშიც წარმოდგენილია სახელმძღვანელოს ძირითად ნაწილში დამუშავებული ზმნების უღლების მთლიანი პარადიგმა მარტივი წინადადებების საილუსტრაციო მასალით. ეს ნაწილი იმას ემსახურება, რომ ურთულესი ქართული ზმნის უღლება გარკვეულწილად გააცნობიეროს ენის შემსწავლელმა და შთაბეჭდილება შეიქმნას სისტემის შესახებ, ხოლო მათი ფუნქცია და სემანტიკა მარტივი კონსტრუქციების წარმოდგენით გააანალიზოს.

სახელმძღვანელოს ახლავს **დამატებით საკითხავი ტექსტებიც** - ძალიან მარტივით დაწყებული და ავთენტური ტექსტით დასრულებული. ამ ნაწილშიც ლექსიკონი ინგლისური ახსნებითაა წარმოდგენილი. ვფიქრობთ, ენის შემსწავლელს ეს დაეხმარება და სტიმულსაც მისცემს მომავალი ეტაპისათვის.

წიგნს ერთვის სასარგებლო ი**ნტერნეტბმულების სიაც.** ძირითადად ეს ლექსიკონებია, რომლებიც ენის შემსწავლელს მუდმივად გაუწევს დახმარებას.

წიგნს ერთვის ა**უდიომასალაც,** რაც ენის შემსწავლელს გარკვეულ დახმარებას გაუწევს. აუდიომასალაში ჩაწერილია ყველა თემის ტექსტი, ასევე დამატებითი საკითხავის ტექტსებიც, რომელთა მოსმენა მკვეთრად გააადვილებს ქართული მეტყველების გაგებისა და გარკვეული ფრაზების დამახსოვრების პროცესს.

ლექსიკონები

№	ავტორი/ავტორები	ლექსიკონის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**რამაზ ქურდაძე, დოდო შონია,** ლილე თანდილავა, ლელა ნიჟარაძე; ინგლისური ვერსია მოამზადა თამარ გელაშვილმა; ექსპერტები: **მაია ლომია,** ომარ მემიშიში, **ქეთევან მარგიანი-სუბარი;** ქართველური ნაწილის რედაქტორი ზურაბ	„ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური ლექსიკონი“	თბილისი, „პეტიტი“	244

	ჭუმბურიძე, ინგლისური ნაწილის რედაქტორი ირინა გველესიანი			

ანოტაცია ქართულ ენაზე

ზემოაღნიშნული ლექსიკონი პირველი შემთხვევა,როდესაც ერთდროულად ყველა ქართველური ენის ლექსიკაა წარმოდგენილი ინგლისური თარგმანით. ქართველურ ენათაგან ამოსავალია ქართული ენის მონაცემები, შემდეგ მოცემულია სხვა ქართველური ენების შესაბამისი ნიმუშები და ბოლოს ინგლისური შესატყვისი. ამ კუთხით ლექსიკონმა შეიძლება რამდენადმე მომხმარებელთა ფართო წრის ინტერესი დააკმაყოფილოს როგორც ჩვენში, ასევე უცხოეთშიც. ლექსიკონის შედგენილობისა და გამოყენების შესახებ ლექსიკონში წარმოდგენილია სხვადასხვა წარმომავლობის 6000-მდე ერთეული.

№	ავტორი/ავტორები	ლექსიკონის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2	**რუსუდან ზექალაშვილი**	ქართულ-გერმანული ლექსიკონი (45.000-ზე მეტი ლექსიკური ერთეული), პირველი გამოცემის გამეორება	თბილისი, „საქართველოს მაცნე”	1.531

ანოტაცია ქართულ ენაზე

ვრცელი ქართულ-გერმანული ლექსიკონის ეს გამოცემა მოიცავს 45.000-ზე მეტ ლექსიკურ ერთეულს გრამატიკული, სემანტიკური და სტილისტური დახასიათებით.

ქართული ლექსიკური ერთეულების გრამატიკული დახასიათება: მითითებულია მეტყველების ნაწილი, სახელის ფუძის ცვალებადობა (კუმშვა, კვეცა), ზმნებთან აღნიშნულია გარდამავლობა და მართვა. ზმნების ამოსავალი ფორმაა საწყისი უღლებადი ფორმების მითითებით: მოქმედებითი და ვნებითი გვარის მყოფადი ან აწმყო. ცალკე სალექსიკონო ერთეულად არის გამოყოფილი მიმღეობები, მაგრამ გრამატიკული კვალიფიკაციის დროს გადამწყვეტად მიჩნეულია მისი ფუნქცია.

სიტყვის სემანტიკაში გამოვლენილია პოლისემია, ძირითადი და გადატანითი მნიშვნელობები. ომონიმები შედის ცალკე სალექსიკონო ერთეულებად. სიტყვებთან აღნიშნულია კონოტაციები (სიტყვათშეხამებანი: ზედს. სახელი + არს. სახელი, ზმნა/მასდარი + არს. სახელი); სალექსიკონო სტატიის ბოლოს განთავსებულია ფრაზეოლოგიური შესიტყვებები და ანდაზები.

სტილისტურად არანეიტრალურ ლექსიკურ ერთეულთან აღნიშნულია სტილისტური დონე, შეფერილობა, მოსაუბრის მარკირებული დამოკიდებულება, დროითი მიმართება და გამოყენების სფერო.

გერმანულ სიტყვებს ახლავს ფონეტიკური და გრამატიკული დახასიათება, დაცულია უახლესი ორთოგრაფია (დუდენის რეკომენდაციების მიხედვით), ნასესხებ სიტყვასთან აღნიშნულია ტრანსკრიფციები, არსებით სახელებთან – ნათესაობითი ბრუნვისა და მრავლობითის ფორმები, ზმნებთან – მორფოსინტაქსური მონაცემები: უღლების ტიპი,

გარდამავლობა და მართვა.

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**კახა გაბუნია,** მერი ნიკოლაიშვილი, ჭაბუკი ქირია, მერაბ ბაბუხადია და სხვ.	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენციაზე - „ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების მეთოდები და სტრატეგიები“ წაკითხული მოხსენებების კრებული; კრებულის შემდგენელი.	თბილისი, თსუ	200
ანოტაცია ქართულ ენაზე კრებული შეიქმნა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ამოქმედების 5 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალების საფუძველზე. სტატიები ეხება ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების საკითხებს.				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ-ლის დასახელება	ჟურნალის / კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**დარეჯან თვალთვაძე**	*ოთხთავის ათონური რედაქციის უძველეს ხელნაწერებზე დართული კოლოფონები და ათონური რედაქციის ჩამოყალიბების საკითხი: ჟურნალი „სპეკალი“/ „SPEKALI “*	N9	*თსუ ჰუმანიტრაულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ელექტრონული ბილინგვური რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი www.spekali.tsu.ge Electonic Bilingual Scholarly Peer-Reviewed Journal of the Faculty of Humanities at Ivane javakhishvili Tbilisi State University*	12

ნოტაცია ქართულ ენაზე

ოთხთავის ათონური რედაქციის უძველეს ხელნაწერებზე დართული კოლოფონები და ათონური რედაქციის ჩამოყალიბების საკითხი

ოთხთავის ძველი ქართული თარგმანის შემცველ ხელნაწერებს ამ წმინდა წიგნის შესახებ დაწერილი სხვადასხვა დანიშნულებისა და შინაარსის მრავალი მეტატექსტი (ტექსტი ტექსტი შესახებ) ახლავს: ესენია: მთარგმნელის/რედაქტორის, გადამწერის კოლოფონები, აშიაზე მიწერილი განმარტებები; ლიტურგიკული ხასიათის შენიშვნები, სახარების შესახებ დაწერილი დოქსოლოგიური თხზულება („შესხმაჲ ოთხთავისაჲ“), სხვადასხვა შინაარსის მინაწერები და სხვ. ქართული ოთხთავის საბოლოო რედაქციის ჩამოყალიბების ისტორიის კვლევისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვნი აღმოჩნდა მე-11 საუკუნეში შავი მთის სამწერლობო კერაში გადაწერილი ხელნაწერები, რადგან, როგორც ირკვევა, მათი სახით ხელთ გვაქვს ოთხთავის ქართული თარგმანის საბოლოო რედაქციის ჩამოყალიბებამდე განვლილი ყველა ეტაპის ამსახველი ტექსტები. თითქმის ყველა ამ ხელნაწერში სახარება-ოთხთავის ტექსტს დართული აქვს სხვადასხვა სახის მეტატექსტიც, რომლებიც საშუალებას გვაძლევს პასუხი გავცეთ სახარების ქართული თარგმანის საბოლოო რედაქციის (გიორგი მთაწმიდლისეული ტექსტის) ჩამოყალიბებასთან დაკავშირებულ მთელ რიგ კითხვებს. კერძოდ: როგორ ყალიბდებოდა ოთხთავის ათონური რედაქცია, სად და როდის დაიწყო მასზე მუშაობა გიორგი ათონელმა,რა პრინციპით ხელმძღვანელობდა ის, როცა ოთხთავის ტექსტის „ბერძნულისადა მიყვანებაზე” (ბერძნულთან დაახლოებაზე) მუშაობდა, როგორ მიმდინარეობდა ეს პროცესი? იყო თუ არა ეს ერთჯერად განხორციელებული რევიზია? როგორ აფასებდა თავად გიორგი მთაწმინდელი თავის საქმიანობას, რად მიაჩნია მას მისი ხელიდან გამოსული ტექსტი – ახალ თარგმანად თუ ძველი თარგმანის ახალ ვერსიად? როგორია მისი დამოკიდებულება სახარებათა ძველი ქართული თარგმანების მიმართ? როგორია გადამწერთა დამოკიდებულება გიორგისეული ტექსტისა და თავად გიორგის მიმართ? როგორ მოპოვა სახარების გიორგისეულმა რედაქციამ ვულგატის სტატუსი, რამ შეუწყო ამას ხელი? - ამ კითხვებზე პასუხის გაცემაში სახარების ტექსტის კვლევასთან ერთად გვეხმარება ის კოლოფონები, რომლებიც ოთხთავის ქართული თარგმანების შემცველ ხელნაწერებს შემოუნახავთ.

2	**დარეჯან თვალთვაძე**	შავი მთის სამონასტრო ცენტრების კულტურული გარემო XI საუკუნეში ქართულ ხელნაწერთა ანდერძებისა და მთარგმნელისეული შენიშვნების მიხედვით: თსუ ქართული ენის ინსტიტუტის შრომების კრებული	N3	თბილისი, თსუ	19

ნოტაცია ქართულ ენაზე

შავი მთის სამონასტრო ცენტრების კულტურული გარემო XI საუკუნეში ქართულ ხელნაწერთა ანდერძებისა და მთარგმნელისეული შენიშვნების მიხედვით

შავმთელი მწიგნობრების მიერ ხელნაწერ წიგნებზე დართული ანდერძები და არშიებზე მიწერილი შენიშვნები, გარდა იმისა, რომ გვაცნობენ ამ დროსათვის

შავ მთაზე მოღვაწე ქართველი მამების *(გიორგი ათონელი, საბა თუხარელი, იოანე ფარაკნელი, ეფრემ დიდი ოშკელი, კვირიკე ალექსანდრიელი, კირილე ბერი, იოანე მთავარაძეძე, ანტონ ტბელი, გაბრიელ ჭულეველი, კალიპოსის წინამძღვარი ბასილი და სხვ.)* საქმიანობას და ქართული სავანეების *(სჯმეონწიდა, თუალთა, კასტანა, კალიპოსი, ალექსანდია, თორნე და სხვ.)* ისტორიას, გვაწვდიან ცნობებს იმ ბერძენ და სირიელ მოღვაწეებზეც, რომლებთანაც კონტაქტი ჰქონდათ ქართველებს და ამით გარკვეულწილად გვაძლევენ იმდროინდელი ანტიოქიის ბერძნული სამონასტრო ცენტრების კულტურული ცხოვრების რეკონსტრუქციის საშუალებასაც.

ანტიოქიის სამონასტრო ცენტრებში მოღვაწე ქართველ მწიგნობართა კოლოფონებსა და ხელნაწერი წიგნის აშიებზე მოთავსებული სქოლიო-კომენტარები საშუალებას გვაძლევს გავიაზროთ, როგორი იყო ქართველთა კულტურული ორიენტაცია, ვისთან ცდილობდნენ გათანაბრებას თავიანთი ინტელექტუალური დონით ძველი ქართველი მწიგნობრები და რა ადგილი ეჭირათ ქართველებს შუა საუკუნეების ზოგადკულტურულ კონტექსტში. სწორედ შავი მთის მონასტერთა მდიდარ ბიბლიოთეკებში უცხოელ კოლეგებთან - ბერძენ, სირიელ, არაბ მწიგნობრებთან თანამშრომლობით გამოიკვეთა ყველაზე მკაფიოდ ქართველ მწიგნობართა კულტურული ორიენტაცია ბიზანტიაზე და იქ მიმდინარე სააზროვნო პროცესებზე, რაც ელინოფილიზმის ჩამოყალიბებით გამოიხატა.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ-ლის დასახელება	ჟურნალის / კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
3	**ლელა ციხელაშვილი**	მესამე ირიბობიექტური პირის მარკირების საკითხი თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში, **ქართული სიტყვის კულტურის საკითხები**	№15	თბილისი, თსუ	14

ანოტაცია ქართულ ენაზე

მესამე ირიბობიექტური პირის მარკირების საკითხი თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში

„თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების" თანახმად, ნორმას წარმოადგენს S_2 და $O_{3^{პირდ.}}$ პირების უნიშნობა და $O_{3^{ირ.}}$ პირის მარკირება. ჩვენი აზრით, $O_{3^{ირ.}}$ პირის მარკერებად მიჩნეულ **ჰ-, ს-** პრეფიქსებს არ ეძებნება გამოკვეთილი მორფოლოგიური ფუნქცია არც სინქრონიულ და არც დიაქრონიულ დონეზე. თუ გავითვალისწინებთ ენის განვითარების ტენდენციასაც ამ კუთხით (**ჰ-** პრეფიქსისა და მისი ფონეტიკური ვარიანტების გაქრობის ტენდენციას), ვფიქრობთ, ლინგვისტურად ყველაზე მართებული მიდგომა იქნება, თუკი, S_2 და $O_{3^{პირდ.}}$ პირების მსგავსად, ნორმის სახეს მივცემთ $O_{3^{ირ.}}$ პირის უნიშნობასაც.

4	**ლელა ციხელაშვილი**	კაუზატივის გამოხატვის პერიფრასტული	№6	თბილისი, თსუ	19

		მოდელები ძველსა და საშუალ ქართულში, **ჰუმანიტარული კვლევები, წელიწდეული**			

ანოტაცია ქართულ ენაზე

კაუზატივის გამოხატვის პერიფრასტული მოდელები ძველსა და საშუალ ქართულში

კაუზატიური ფუნქციის გრამატიზაცია მეორეული მოვლენაა და მისი საბოლოო გაფორმება **-ინ** სუფიქსს უკავშირდება, რომელიც XI-XII საუკუნეებიდან მკვიდრდება. **-ინ** დაერთო როგორც მარცვლოვან ფუძეს (*ა-წერ-ინ-ებ-ს, ა-კეთ-ებ-ინ-ებ-ს...*), ისე უმარცვლოს, რომელსაც ძველ ქართულში კაუზატიური ფუნქციის გამოსახატავად **-ევ/-ი(ვ)** სუფიქსი ერთვოდა (*ა-ქმნ-ევ-ს, ა-ხვნ-ევ-ს, ა-თქუმ-ი-ა...*) და ამ გზით ჩამოყალიბდა რთული **-ევინ** სუფიქსი.

საინტერესოა, **-ინ** სუფიქსის დართვამდე როგორ გამოიხატებოდა მარცვლოვან ფუძეთა კაუზატიური ფუნქცია? გარდა **-ი**(ვ)**-ებ/-ი**(ვ) სუფიქსიანი წარმოებისა, რომელიც ნაკლებპროდუქტიულია და, ფაქტობრივ, ძველი ქართულის მოგვიანო პერიოდის ძეგლებში დასტურდება (*თაყუანის-ვაცემიე, მოაღებიის...*]), ენა იყენებდა აღწერით, პერიფრასტულ წარმოებას: საუღლებელი ზმნის ვითარებით ბრუნვაში დასმულ მასდარს (ინფინიტივს) ***ცემა*** მეშველი ანუ მაკაუზატივებელი ზმნის პირიან ფორმასთან ერთად: ***მოღებად სცა*** („*მოატანინა*"), ***დამარხვად სცა*** („*დაამარხვინა*") და სხვ. ამ ტიპის აღწერითი წარმოება, რომელიც არ განარჩევდა ფუძის სტრუქტურას, დასტურდება VII-XI საუკუნეების წერილობით ძეგლებში, XII საუკუნიდან იგი ქრება.

ჩვენი აზრით, ***მოღებად სცა*** ტიპის პერიფრასტული მოდელი არ იყო ერთადერთი. მეორეული კაუზატიური ფუნქციის (შუალობითი კონტაქტის) გამოსახატავად ენა მიმართავდა სხვა ალტერნატიულ პერიფრასტულ მოდელებსაც (ისინი ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში, ფაქტობრივ, არ არის განხილული), რომლებშიც მაკაუზატივებელი ზმნის ფუნქციით გვხვდებოდა: ***ცემა*** ზმნის პრევერბიანი ფორმა („***მიმცა შესაპყრობლად***" [ვეფხ. 1299:3] „*შეაპყრობინა*"), ***იძულება*** („***არა აიძულა დატევება*** [ქართ. ცხ. I, 144:17] „*არ დაატოვებინა*"), ***ყოფა*** („*ნუ* ***ყოს*** *ღმერთმან ჩემგან თქუენის სისხლის თავს* ***დება***" [რუსუდ. 412:4]), ***ბრძანება*** („***უბრძანა*** ... ***ჩამოკიდებად***' [ქრისტინ. წამ. 192:22] „*ჩამოაკიდებინა*"), ***თქუმა*** („***შემოყვანა ვუთხარ***' [ვეფხ. 366 (363):3] „*შემოვაყვანინე*") და სხვ. მაკაუზატივებელი ზმნები, ხოლო კაუზირებული ფორმა წარმოდგენილი იყო ან მასდარით (ვითარებითი, სახელობითი ან მიცემითი ბრუნვების ფორმით) ან კავშირებითის მწკრივით გაფორმებული ზმნის პირიანი ფორმით („*მაშინ* ***უბრძანა*** *ყოველთა, რათა* ***დამალნენ*** *ჯუარნი*" [ქართ. ცხ., I, 126:9-10]).

მაკაუზატივებელი ზმნის შერჩევა ხდება კაუზატიური სემანტიკის შესაბამისად, მაგ., „***ბრძანა*** *დაგებად*" და „*შემოყვანა* ***ვუთხარ***' კონსტრუქციები ერთმანეთისგან განსხვავდება კატეგორიულობის ხარისხით.

	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ-ლის დასახელება	ჟურნალის / კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
5	**რამაზ ქურდაძე**	"ტრანსპოზიციის მნიშვნელობისათვის	№3	თბილისი, თსუ	7

		ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების დროს", თსუ ჰუმაიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის შრომების კრებული			
ანოტაცია ქართულ ენაზე "ტრანსპოზიციის მნიშვნელობისათვის ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების დროს" ნაშრომში განხილულია ტრანსპოზიციის, მეტყველების ერთი ნაწილის მეორეში გადასვლის, მაგალითები ქართულში და მათი მიშვნელობა ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების დროს. ნაშრომში დაძებნილია მსგავსი ტიპის ტრანსპოზიციის მაგალითები ქართულ-რუსულ-ინგლისურ ენებში, თუმცა აღნიშნულია, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტრანსპოზიციის განსხვავებულ შემთხვევებს ნებისმიერი ენის, ჩვენს შემთხვევაში კი ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების დროს.					
	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის / კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
6	**კახა გაბუნია**	ერგატიული და ნომინატიური კონსტრუქციების ჩამოყალიბების ქრონოლოგიისათვის ქართველურ ენებში; ჟურნალი წელიწდეული	№3	თბილისი, თსუ	15
ანოტაცია ქართულ ენაზე სტატია ეხება სახელური ტიპის ერგატიული კონსტრუქციის ჩამოყალიბებას ქართველურ ენებში.					
7	**კახა გაბუნია**	ზმნური კონსტრუქციების სწავლების სპეციფიკა არაქართულენოვანი შემსწავლელებისთვის; ჟურნალი წელიწდეული	№ 4	თბილისი, თსუ	12
ანოტაცია ქართულ ენაზე სტატია ეხება ზმნა-შემასმენლის სტაბილური და ლაბილური კონსტრუქციების სწავლებას არაქართულენოვანი შემსწავლელებისთვის.					

8	**კახა გაბუნია**	CLIL-ის დანერგვის საჭიროებისათვის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.	კრებული: ქართული ს, როგორც მეორე ენის, სწავლების მეთოდები და სტრატეგიები	თბილისი, თსუ იბეჭდება.	11
ანოტაცია ქართულ ენაზე CLIL მეთოდოლოგიის მიმოხილვა ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის კონტექსტში.					
	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის / კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
9	**რუსუდან ზექალაშვილი**	მსაზღვრელი ნაწევრებისა და ნაცვალსახელების შესახებ „ვეფხისტყაოსნის“ ენაში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის ინსტიტუტის შრომების კრებული, III, ქართველური ენათმეცნიერება.	№3	თბილისი, თსუ	9
ანოტაცია ქართულ ენაზე **მსაზღვრელი ნაწევრებისა და ნაცვალსახელების შესახებ „ვეფხისტყაოსნის“ ენაში** სტატიაში გაანალიზებულია მსაზღვრელი ნაწევრებისა და ნაცვალსახელების გამოყენების თავისებურება „ვეფხისტყაოსნის“ ენაში. პოემაში დადასტურებულია როგორც განუსაზღვრელი (ერთი, ვინმე, რამე), ისე განსაზღვრული ნაწევრები (ესე, ეგე, იგი) და ნაცვალსახელები პრეპოზიური წყობით სახელობით, მიცემით, ნათესაობით ან მოქმედებით ბრუნვებში, იშვიათად – პოსტპოზიურადაც. დასმულია საკითხი, რომ ნაწევრებისა და ნაცვალსახელების გამიჯვნის საფუძველი იყოს მსაზღვრელის წყობა და ბრუნვაში შეთანხმების უნარი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ განსაზღვრული ნაწევრები (ესე, ეგე, ისი) პრეპოზიციური წყობის დროს პოემის ენაში უკვე გადასულია ნაცვალსახელთა კლასში, მხოლოდ „იგი“ ინარჩუნებს ნაწევრის ფუნქციებს, რადგან ის ცვალებადია ბრუნვების მიხედვით.				

„ვეფხისტყაოსანი“, როგორც საშუალი ქართულის ძეგლი, ნაწევრის გამოყენების დროსაც ასახავს ერთგვარ შუალედურ მდგომარეობას ძველი და ახალი ქართულის ენობრივ მოვლენებს შორის.

პოემის ენაში ნაწევრის ფუნქციები ჯერ კიდევ შენარჩუნებულია, მაგრამ უკვე ჭირს მკვეთრი ზღვარის გავლება ნაწევრებსა და ნაცვალსახელებს შორის.

10	**რუსუდან ზექალაშვილი**	ანთროპონიმების ჰიპოკორისტიკული ფორმები ქართულ დისკურსში: ქართველური ონომასტიკა.	№7	თბილისი, „უნივერსალი”	14

ანოტაცია ქართულ ენაზე

ანთროპონიმების ჰიპოკორისტიკული ფორმები ქართულ დისკურსში

სტატიაში შესწავლილია ჰიპოკორისტიკული ფორმების წარმოების საშუალებები თანამედროვე ქართულ დისკურსში: სუფიქსები (-კო, -იკო, -უნა, -უცა, -უკა, -იკა და სხვ.) და სახელთა შემოკლებული ვარიანტები (მხოლოდ დასაწყისი ან დასასრული, პირველი და ბოლო მარცვლის კომბინირება, პირველ ორ მარცვალზე ფორმანტ -ო-ს დართვა), არაქართული სუფიქსები (-კა, -იკ, -ჩიკ, -ჩო).

გამოყოფილია კნინობით-ალერსობით ფორმათა ლინგვოპრაგმატიკული მახასიათებლები, გავრცელების არეალი და მიზეზები. ამას გარდა, ხაზგასმულია კომუნიკანტთა ინტენცია ამ ფორმათა გამოყენებისას: გამოხატოს კეთილგანწყობა, სიახლოვე და სითბო, ახლობლური დამოკიდებულება ადრესატისადმი.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ანთროპონიმთა ჰიპოკორისტიკული დერივაციული საშუალებები გარკვეულწილად ამდიდრებს ქართულ ონომასტიკას ეროვნული ფორმებით და ზრდის მის ექსპრესიულ შესაძლებლობებს. ამას გარდა, მსჯელობაა ერთგვარი ზომიერების დაცვის აუცილებლობაზეც ამ ფორმათა წარმოებისას.

11	**რუსუდან ზექალაშვილი**	უცნობი ნაშრომი ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების შესახებ: ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდეული.	№6	ქუთაისი, „ქუთაისი” საგამომცემლო ცენტრი	8

	ანოტაცია ქართულ ენაზე **უცნობი ნაშრომი ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების შესახებ** სტატია ეძღვნება ფილოლოგ ისაკ მიხეილის ძე შამელაშვილის ერთ უცნობ ხელნაწერს (1959) ქუთაისელ ქართველ ებრაელთა მეტყველების შესახებ, რომელშიც გაანალიზებულია ქართველ ებრაელთა მეტყველების ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური თავისებურებები. ფონეტიკური მოვლენებიდან გამოყოფილია ასიმილაცია, დისიმილაცია, მეტათეზისი, ბგერათა დაკარგვა და მონაცვლეობა; მორფოლოგიური მოვლენებიდან საყურადღებოა დაკვირვება სახელთა ბრუნებაზე (ი-ს დართვა ხმოვანფუძიან სახელებზე, მიცემითი ბრუნვის -ს ნიშნის დაკარგვა), თანდებულთა გამოყენება და ნაცვალსახელთა განსხვავებული ფორმები (მაგ., შენე, ჩვენე, თქვენე, ისი), ზმნურ ფორმათა სპეციფიკა; განსაკუთრებით ხაზგასმულია ავტორის ენათმეცნიერული ალღო და მისი საყურადღებო შეხედულება ზმნური -ვე (-ე) ნაწილაკის მიჩნევის შესახებ სუბიექტის ან ობიექტის მრავლობითობის ნიშნად. ისაკ შამელაშვილის მცირე გამოკვლევა საინტერესოა ლინგვისტური მოვლენების მართებული ინტერპრეტაციითა და პარალელებით ქართული ენის სხვა დიალექტებთან.				
12	**რუსუდან ზექალაშვილი**	ქვემდებარის სინტაქსური ძალისათვის თანამედროვე ქართულში: ენათმეცნიერების საკითხები, 2014		თბილისი, თსუ	9
	ანოტაცია ქართულ ენაზე **ქვემდებარის სინტაქსური ძალისათვის თანამედროვე ქართულში** სტატიაში განხილულია ქართული ენის სინტაქსის ერთ-ერთი პრობლემური საკითხი – ქვემდებარე-შემასმენლის შეთანხმება რიცხვში – სამეცნიერო და პუბლიცისტური ტექსტების, ასევე ცოცხალი მეტყველების მონაცემებზე დაყრდნობით. გამოვლენილია ტენდენცია *ებიან* მრავლობითში სუბიექტის სინტაქსური ძალის ზრდისა: შეთანხმებული შემასმენლის გამოყენება უსულო საგნის სახელით გადმოცემულ ქვემდებარესთან, როცა გაპიროვნება არაა. განხილული მაგალითების საფუძველზე გამოტანილია დასკვნა, რომ შემასმენელი ეთანხმება ქვემდებარეს რიცხვში არა მარტო აქტიურ ზმნებთან, არამედ პასიურთანაც. ბოლოს დაყენებულია საკითხი სინტაქსური ნორმის გადახედვის აუცილებლობის შესახებ, რადგან მსგავსი მაგალითები მოწმობს ცვლილებებს ქართული ენის სინტაქსურ სისტემაში.				
13	**რუსუდან ზექალაშვილი**	ვერბალური თავაზიანობის ფსიქოლოგიური საფუძველი: III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“,	№3	თბილისი, „მერიდიანი“	8

		შრომები.			

ანოტაცია ქართულ ენაზე

ვერბალური თავაზიანობის ფსიქოლოგიური საფუძველი

სტატიაში ვერბალური კომუნიკაცია განხილულია, როგორც გარკვეული სტრატეგია, რომელზეც მოქმედებს ბევრი ექსტრალინგვისტური ფაქტორი: კომუნიკანტთა დამოკიდებულება, საკომუნიკაციო სიტუაცია, კომუნიკანტთა სოციალური სტატუსი, მოუბარი პირის ინტენცია და სხვ. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ვერბალური თავაზიანობის გამოხატვის ფორმათა განსხვავება ამა თუ იმ ენობრივ გარემოში აიხსნას ხალხის კულტურით, ტრადიციებით, სულიერ ღირებულებათა იერარქიითა და სამეტყველო ეტიკეტის ისტორიულად ჩამოყალიბებული წესებით.

განსაკუთრებული ყურადღებაა მიქცეული თავაზიანობის მექანიზმის ფსიქოლოგიურ ასპექტებზე, კერძოდ კი, ემპათიის ანუ თანაგანცდის ფენომენზე, მისი გამოვლენის ენობრივ ფორმებზე დიალოგურ მეტყველებაში (სიტყვის, შესიტყვების, გამონათქვამისა და დიალოგური რეპლიკების დონეზე), საკომუნიკაციო რეგისტრების შესაბამისად.

გამოყოფილია თავაზიანობის ემპათიზებული ენობრივი საშუალებები მორფოლოგიურ, სინტაქსურ, ლექსიკურ და სტილისტურ დონეებზე.

დიალოგების ანალიზზე დაყრდნობით გამოვლენილია, რომ კომუნიკანტთა სტრატეგია თავაზიანობის წესების თანახმად აგებულ საუბარში ეფუძნება მოუბარი პირის სურვილს, გამოხატოს თანაგრძნობა პარტნიორისადმი, გაიზიაროს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი განცდები, დაიმსახუროს მისი კეთილგანწყობა და ვერბალურ-არავერბალური საშუალებებით გაუსვას ხაზი მას.

	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულისდასახელება	ჟურნალის / კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
14	**მაია ლომია**	მიმღეობური სემანტიკის შემცველი კონსტრუქცია მეგრულ ენაში; თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული III, ქართველური ენათმეცნიერება	№3	თბილისი თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	5

ანოტაცია ქართულ ენაზე

სტატიაში გაანალიზებულია მეგრულისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ვითარება - მიმღეობური სემანტიკის გადმოცემა დამოკიდებული წინადადებით. ამგვარი კონსტრუქციები საინტერესოა ინფორმაციის სტრუქტურირების თვალსაზრისით.

15	**მაია ლომია** (თანაავტორი რ. გერსამია)	სივრცული ლოკაციის აღმნიშვნელი ძირითადი და ალტერნატიული პრედიკატები ქართველურ ენებში ტიპოლოგიური კრებული	№7	თბილისი ქართული აკადემიური წიგნი	16
ანოტაცია ქართულ ენაზე სტატიაში ქართველური ენების მასალის მიხედვით წარმოდგენილია სივრცული ლოკაციის აღმნიშვნელი ძირითადი და ალტერნატიული პრედიკატების სემანტიკური ანალიზი. მასალათა შეჯერების საფუძველზე გამოვლენილია საერთოქართველური კანონზომიერებები და კონკრეტული ქართველური ენისთვის დამახასიათებელი განსხვავებული ტენდენციები.					
16	**მაია ლომია** (თანაავტორი რ. გერსამია)	დროის აღმნიშვნელი ლაზური ლექსიკის სტრუქტურული და სემანტიკური ანალიზი; ენათმეცნიერების საკითხები	№1	*თბილისი თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა*	8
ანოტაცია ქართულ ენაზე სტატიაში წარმოდგენილია დროის - *წელიწადის დროების, თვეების, კვირის დღეების* - აღმნიშვნელი ლაზური ლექსიკის სტრუქტურული და სემანტიკური ანალიზი.					
17	**მაია ლომია**	მორფემისა და ძირის მიმართების საკითხი მეგრულში თსუ, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა IV საერთაშორისო სიმპოზიუმი-*იბერიულ-კავკასიურ ენათა ფუძისა და ძირის სტრუქტურის საკითხები,* ***მასალები***		*თბილისი თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა*	**2**

ანოტაცია ქართულ ენაზე

მოხსენებაში მეგრული ენის აღმოსავლურ არეალში გავრცელებული *ყიდვა* ზმნის სამი პარალელური ზმნური ფორმის - *ვორიდი, იპიდი, ვიპიდი* – მაგალითზე განხილულია მორფემისა და ძირის მიმართების საკითხი მეგრულში; კერძოდ, საუბარია თითოეულ ფორმაში S1 პირის ნიშნის გამოყოფა-ჩაწერაზე მორფემათა რანგისა და მორფემული ანოტაციის საერთაშორისო სტანდარტის გათვალისწინებით.

18	**მაია ლომია** (თანაავტორები: იზ. ქობალავა, რ. - გერსამია)	ულ-ა/ულ-უ „სვლა“ ზმნის სემანტიკა მეგრულსა და ლაზურში. თსუ, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის სესია – *არნოლდ ჩიქობავას საკითხავები,* ***მასალები***	№26	*თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა*	4

ანოტაცია ქართულ ენაზე

მოხსენებაში მეგრული და ლაზური ენების მასალაზე განხილულია მოძრაობა-გადაადგილების აღმნიშვნელი ზმნური **ულ-** ძირის სემანტიკური მახასიათებლები: *ა) დინამიკურობა, ბ) მოძრაობის სუბიექტი, გ) მოძრაობის სახე, დ) მოძრაობის დრო.*

19	**მაია ლომია** (თანაავტორი რ. გერსამია)	ბგერწერითი ლექსიკის სემანტიკური კლასიფიკაცია ლაზურში თსუ, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის სესია – *არნოლდ ჩიქობავას საკითხავები,* ***მასალები***	№26	*თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა*	4

ანოტაცია ქართულ ენაზე

მოხსენებაში მოცემულია ბგერწერითი ლექსიკის სემანტიკური კლასიფიკაცია ლაზური ენის მასალაზე; კერძოდ, გამოყოფილი და გაანალიზებულია: *საკუთრივ ხმაბაძვის ანუ ხმიანობის, დინამიკურობისა და სტატიკურობის* აღმნიშვნელი ლექსიკური ჯგუფები.

	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის / კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
20	**ინგა სანიკიძე**	აკ. წერეთლის პოეტური ენის რამდენიმე ხატის შესახებ	საერთაშორისო კონფერენცია – აკ. წერეთელი და მისი ეპოქა – მასალები	თბილისი, თსუ	4

ანოტაცია ქართულ ენაზე

აკ. წერეთლის პოეტური ენის რამდენიმე სიტყვიერი ხატის შესახებ

ნაშრომი შეეხებოდა აკ. წერეთლის პოეტურ სიტყვას და, კერძოდ, მისეულ სიტყვათა განზოგადების მხატვრულ ხერხს. ყურადღება რამდენიმე ლექსიკურ ერთეულზე იყო გამახვილებული. საზოგადოდ, სიტყვა მთლიან აზრობრივ ქსოვილში ძირითადი აქცენტია, ამიტომ ის მხატვრულ გარემოში ჩვეულებრივი აღმნიშვნელის ფუნქციას კარგავს, სემანტიკურ მოცულობას იძლიერებს და არასობრივადაა დატვირთული. ამგვარი მიდგომა თავისი შინაარსით ენობრივ-მსოფლმხედველობრივია და აკაკის პოეზიისათვის განსაკუთრებითაა ნიშანდობლივი.

ლექსიკოლოგიური თვალსაზრისით, მაგალითად, „სანთელი“ ერთი, რიგითი აღმნიშვნელია მატერიალური საგნისა, მაგრამ პოეტის „გონით ფენაში“ (რ. ჰობერგი) სხვაგვარადაა გადატანილი და გაცილებით ფართო მნიშვნელობის მქონეა – ის ამქვეყნიური ღვაწების, საღვთო სრულყოფილებისაკენ მისწრაფების, ნათელი სრბოლის გამომხატველია, ამიტომ აკაკის პოეზიაში მას „ბნელის განათლების“ ფუნქცია აქვს დაკისრებული. პოეტი უფრო შორს მიდის და მხატვრულ ტრიადას კრავს, რომლის მეორე წევრად „ფუტკარია“ მოაზრებული, სანთლის მიწიერი შემოქმედი, „ბზუილა“ და „მოუსვენარი“. „სანთელი და „ფუტკარი“ განზოგადებული ენობრივი ნიშნებია. ცხადია, რომ მატერიალური საგნები პოეტის წარმოსახვაში აზრობრივად ფართოა და შიგთავსის გადიდების ხარჯზე ყოფიერ ნიადაგსაა აცდენილი. ტრიადის მესამე წევრი „უფალია“, რომელსაც აზრის დახურვა და მისი მწვერვალის შექმნა შეუძლია. ის ნაწილებს კრავს და მთელად გარდაქმნის. უფლის, როგორც ზეციური საზრისის, თემატური ნიშანი აკაკისთვის ზნეობრივი წონასწორობის საზომი ერთეულია. იგი მიწიერადაა შემეცნებული და ზოგჯერ ეპოქას, ზოგჯერ კი პირად სატკივარს ეჯაჭვება („ხოლერა“, „პასუხი ჭალადიდელისადმი“).

21	**ინგა სანიკიძე,** ნ. გონჯილაშვილი	„ნათლის სვეტის” სიმბოლო ილ. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის შემოქმედებაში	№3	ქუთაისი	10

ანოტაცია ქართულ ენაზე

„ნათლის სვეტის“ სიმბოლო ილ. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის შემოქმედებაში

ბიბლიის წიგნებში დადასტურებული მხატვრული შესიტყვებანი „ღრუბლის სვეტი“ და „ცეცხლის სვეტი“ თავიანთი სემანტიკური დატვირთვით პირდაპირ მიემართება პარადიგმულ სახეს, რომელსაც „ნათლის სვეტი“ ეწოდება და რომელიც უფლის სუფევის, მისი ხატჩენის მხატვრული დისტრიბუციაა. მოძიებულმა მასალამ აჩვენა, რომ ქართველ შემოქმედთა ენაში დასახ. შესიტყვების შინაარსობრივი დატვირთვა არსებითად არ იცვლება („ვეფხისტყაოსანი“, „დავითიანი“..); ფაქტობრივ უცვლელია იგი 60-იანელთა შემოქმედებით ენაშიც.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო ილიას 2 პოემაა – „აჩრდილი“ და „განდეგილი“, რომლებშიც „ნათლის სვეტის“ პარადიგმული სახე, იგივე „სვეტიცხოველი“, თანადროული ეპოქის მსოფლმხედველობითაა დატვირთული და სიმბოლიზირებული. ის რეალისტურ კონტექსტშია გახვეული და ქრისტიანული წარსულის გვერდით მწარე აწმყოს სურათების ჩვენებას ემსახურება.

„ნათლის სვეტის“ პარადიგმა საინტერესო კონტექსტით ცხადდება აკ წერეთლის რამდენიმე ლირიკულ ნაწარმოებშიც („სიზმარი“, „ცისარტყელა“). აქაც რეალური

სამყაროს ირეალურთან შეკავშირებას დასახელებული ბიბლიური პარადიგმა წარმართავს და ზოგჯერ ურწუნოთა და ცოდვილთა წარწყმედის სემანტიკურ-ენობრივ ნიშნადაა გამოყენებული.

ამრიგად, „ნათლის სვეტის“ პარადიგმა ბიბლიური ტექსტებიდან მოყოლებული ფაქტობრივ უცვლელი სემანტიკური ბუდეა, თუმცა ცალკეულ მეკალმეთა ხელში ინდივიდუალურად შეფერილი და ეპოქისდა შესაბამისად აზრობრივი აქცენტებით დატვირთული.

	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ-ლის დასახელება	ჟურნალის / კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
22	**სალომე ომიაძე**	არნოლდ ჩიქობავას სამეცნიერო დისკურსის პრაგმატიკული თავისებურებანი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება	№XLIII	თბილისი, თსუ	5

ანოტაცია ქართულ ენაზე

არნოლდ ჩიქობავას სამეცნიერო დისკურსის პრაგმატიკული თავისებურებანი

სტატიაში განხილულია ის პრაგმატიკული თავისებურებები, რომლებიც არნ. ჩიქობავას სამეცნიერო შრომებში რთულ ინტელექტუალურ კონსტრუქციებს ნათელსა და მკითხველისათვის ადვილად გასაგებს ხდის, ესენია: თხრობის დაწყების, ინტერესის გაღვივება-შენარჩუნებისა და საუბრის დასრულების გამორჩეული სამეტყველო ტაქტიკა; კითხვითი წინადადებების სიჭარბე, რაც არნ. ჩიქობავას სამეცნიერო დისკურსს ინტერპერსონალურ ხასიათს სძენს; ორწერტილისა და ფრჩხილების თავისებური გამოყენება დასაბუთებული მოსაზრების პედალირებისათვის; პრაგმატიკულ კონექტორთა (არგუმენტაციულისა და მეტადისკურსულის) ფართო სპექტრი, მეტყველების ადრესაცია და სხვა ფაქტორები, რომელთა საშუალებითაც არნ. ჩიქობავა ახერხებს დააინტერესოს განსხვავებული ფონური ცოდნის მქონე მკითხველი.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ-ლის დასახელება	ჟურნალის / კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
23	**ნინო შარაშენიძე**	**მოდალობის კატეგორია ქართულში, მისი სწავლების მეთოდები და სტრატეგიები უცხოელთათვის (ქართულის, როგორც მეორე ენისა და როგორც უცხო ენის სწავლებისას),** საერთაშორისო ჟურნალი	№1	თბილისი	8

		მულტილინგვური განათლებისთვის, 2015 www.multilingualeducation.org			
24	**ნინო შარაშენიძე**	**„უნდა“ მოდალური ფორმის ეპისტემური მნიშვნელობისათვის ქართულში,** ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები		თბილისი	12
25	**ნინო შარაშენიძე**	**უარყოფის სისტემა ქართულში,** საენათმეცნიერო ძიებანი		თბილისი	7
	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის / კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
26	**ქეთევან მარგიანი-სუბარი**	„თურმეობითებისა და ხოლმეობითების ურთიერთმიმართები სათვის სვანურ გარდამავალ ზმნებში“, თსუ ქართული ენის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული	3	თბილისი, თსუ	9

ანოტაცია ქართულ ენაზე

თურმეობითობისა და ხოლმეობითობის ურთიერთმიმართებისათვის სვანურ გარდამავალ ზმნებში

სვანურ ენაში დადასტურდა ზმნათა ფორმები, რომლებიც უღლების სისტემაში დღემდე ცნობილ მწკრივთა (დრო-კილოთა) შორის არ არის დაფიქსირებული. აღნიშნული მონაცემები აქტიური ზმნებია, სინთეზური წარმოებისაა და პერფექტულია: გადმოგვცემს წარსულში სავარაუდო, დაუზუსტებელი მოქმედების სტატიკურ შედეგს აწმყო-მყოფადში (ხ-ე-გ-ი “ალბათ, უშენებია მას ის”), ან წარსულშივე (ხეგოლ “ალბათ, ეშენებინა მას ის”); ჩვენი აზრით, საანალიზო ფორმები სტატიკურ ზმნათა მყოფადწარსულისა (I ფორმა) და პირობითწარსულის (II ფორმა) რეინტერპრეტირებული, ინვერსიაქმნილი ფორმებია,

ვინაიდან სემანტიკაც მიგვანიშნებს აღნიშნულ მწკრივებთან მათს მიმართებაზე; აღნიშნული ფორმები მოეპოვება ყველა რელატიურ გარდამავალ და მედიოაქტიურ აბსოლუტურ ზმნას; მათი რეალური სუბიექტი I სერიაში მუდამ ნომინატიურ, II სერიაში კი ერგატიულ კონსტრუქციას ქმნის. ამ ზმნათა პერფექტულობა გამოხატულია წარსულში შესრულებული მოქმედების სტატიკური შედეგით აწმყოში (I ფორმა) ან წარსულშივე (II ფორმა); ამის შესაბამისად, საანალიზო ზმნები I ან II რეზულტატიურს ეკედლება, ამავდროულად ამ უკანასკნელთ (I და II რეზულტატივს) უპირისპირდება საეჭვოობა-სავარაუდობის სემანტიკით; მეორე მხრივ, ეს ფორმები ხოლმეობითობის შთაბეჭდილებას ტოვებს; სტატიაში დასმულია საკითხი იმის შესახებ, რომ აღნიშნულ ფორმებს უდავოდ უნდა მიეცეს მწკრივთა კვალიფიკაცია (მათ ამისთვის გააჩნიათ ორი აუცილებელი პირობა: ფორმა და სემანტიკა) და აქტიურ ზმნათა პარადიგმის III სერიაში განლაგდნენ. ტერმინოლოგიის თვალსაზრისით კი ვვარაუდობთ, რომ პირობით-რეზულტატიური I და II შეესაბამება.

27	**ქეთევან მარგიანი-სუბარი**	„კვლავ მყოფადუსრულის შესახებ სვანურში", ენათმეცნიერების საკითხები	№1	თსუ-ს გამომცემლობა	11

ანოტაცია ქართულ ენაზე

„კვლავ მყოფადუსრულის შესახებ სვანურში"

სტატიაში წარმოდგენილია სვანური ზმნის უღლებაში ქართულისგან განსხვავებული ერთ-ერთი მწკრივის, მყოფადისრულის, სემანტიკურ-მორფოლოგიური ანალიზი. გამოთქმულია მოსაზრება მისი გენეზისისა და ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მისი ადგილის შესახებ პარადიგმაში. სევე დასმულია ტერმინის შესაბამისობის საკითხი.

28	**ქეთევან მარგიანი-სუბარი**, იზა ჩანტლაძე	„ენგურისა და კოდორის ხეობებში ფიქსირებული სვანური ტექსტების მორფონოლოგიური სეგმენტაციის საფუძვლები", ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები	№13	დედა ენა	11

ანოტაცია ქართულ ენაზე

„ენგურისა და კოდორის ხეობებში ფიქსირებული სვანური ტექსტების მორფონოლოგიური სეგმენტაციის საფუძვლები", ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები

ნაშრომში აღწერილის „ზემოსვანური მორფემული ლექსიკონის" შედგენის პროცესში წამოჭრილი ტექნიკური თუ თეორიული ხასიათის პრობლემები, როგორიცაა, მაგალითად, უმლაუტთან, დისიმილაციასთან, სონანტებთან, ბრუნება-უღვლილების, რიცხვისა და სხვა მაწარმოებლებთან, აგრეთვე „მცა" თუ სხვათა სიტყვის გადმომცემ ნაწილაკებთან დაკავშირებული საკითხები. დასახულია სალექსიკონო ფორმატში მათი ეკონომიურად გათვალისწინების გზები. დასმულია შემდგომ ეტაპზე ლექსიკონის გლოსირება-ანოტირების საკითხი.

29	**ქეთევან მარგიანი-**	„ზემოსვანური	№7	ნეკერი	9

	სუბარი, იზა ჩანტლაძე	მორფემული ლექსიკონი", ტიპოლოგიური ძიებანი.			

ანოტაციები ქართულ ენაზე

ზემოსვანური მორფემული ლექსიკონი

ლექსიკონი ემყარება უამრავ პუბლიკაციას სვანური პროზაული ტექსტებისა, ანდაზა-გამოცანებისა თუ ხალხური პოეზიისა (ჯერჯერობით მხოლოდ ზემოსვანურის მონაცემებით). ნაშრომის გამოცემა გათვალისწინებული ორ ტომად: სახელები, სახელზმნები და უდეტრები (I ტ.) და ზმნები (II ტ.).

ლექსიკონში შეტანილია შესაბამის პუბლიკაციებში წარმოდგენილი ყველა სიტყვა - სრულმნიშვნელოვანი თუ დამხმარე (სახელები, ზმნები, ზმნისართები, თანდებულები, კავშირები, ნაწილაკები, შორისდებულები) და ელიზიური შესიტყვებანი. იმის გამო, რომ ორივე ტომი მოცულობით ძალიან დიდია, ილუსტრაციები ახლავს მხოლოდ ელიზიურ შესიტყვებებს;

რაკი ზემოთ აღნიშნულ პუბლიკაციებში წარმოდგენილია სხვადასხვა სოფლის მეტყველება, ბუნებრივია, ჩვენს ნაშრომში აისახა კილოკაური სხვაობანი (თუმცა ვეღარ მივუთითეთ მათი წარმომავლობა ისედაც დიდი წიგნის მოცულობის გაზრდის თავიდან ასაცილებლად).

ყოველი ლექსემის სეგმენტაციის დროს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მორფემათა რანჟირების წესებს. სამწუხაროდ, თითქმის წარმოუდგენელია მათი ქრონოლოგიური უწინარესობა-შემდგომადობის ჩვენება უმწერლობო ენის შემთხვევაში, რადგანაც XVIII-XIX საუკუნეზე ადრინდელი ჩანაწერები არ გვაქვს და, რაც მოგვეპოვება, შეცდომებითაა სავსე, რადგანაც სვანური სიტყვები თუ დიალოგები (იშვიათად გაბმული ტექსტებიც) ჩაწერილია ამ ენის არმცოდნეთა მიერ ლათინური თუ რუსული გრაფემებით. სეგმენტაციისას ძალზე გვეხმარება არა მხოლოდ მორფონოლოგიური, მორფოსინტაქსური თუ სემანტიკური ანალიზი საილუსტრაციო მასალისა, არამედ ჩვენი თუ სხვა ქართველოლოგთა სანდო ეტიმოლოგიური დაკვირვებები. ასე რომ, მორფემათა ლექსიკონში წარმოდგენილ სიტყვა-სტატიათა უმრავლესობა შესაძლოა მიჩნეულ იქნას მინიატურულ გამოკვლევადაც.

ზემოსვანური პუბლიკაციების საფუძველზე შედგენილი ჩვენი ლექსიკონი ადეკვატურად ადასტურებს საუკუნის მანძილზე უმწერლობო ენაში მიმდინარე სემანტიკურსა და გრამატიკულ წიაღსვლებს.

	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ-ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
30	**გიული შაბაშვილი**	მულტილინგვური განათლება	№6	ელექტრონული ჟურნალი	26

ანოტაციები ქართულ ენაზე

წერითი კომპონენტის სწავლა/სწავლება მეორე ენის დაუფლებისა და სწავლების პროცესში ერთ-ერთი რთულად გადასაჭრელი ამოცანაა. ცნობილია, რომ წერითი

კომპონენტის სწავლა/სწავლებისას ერთდროულად მიმდინარებს როგორც კოგნიტური, ისე მეტაკოგნიტური პროცესების გააქტიურება, რაც გულისხმობს შემსწავლელის როგორც ლინგვისტური კომპეტენციების ამაღლებას, ისე სოციოკულტურული, დისკურსული და კომუნიკაციური კომპეტენციების განვითარებას. ამდენად წერითი კომპონენტის სწავლება მრავალპლანიანი ქმედებაა, რაც მასწავლებლისაგან მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინებას, საგაკვეთილო პროცესის სწორად დაგეგმვას, აგრეთვე, ადეკვატური და ეფექტური სტრატეგიების გამოყენებას მოითხოვს. ნაშრომის მიზანია წერითი კომპონენტის სწავლების არსის ჩვენება, სხვადასხვა ძირითადი და დამხმარე აქტივობების განხილვა, მათი ფუნქციისა და შედეგების წარმოდგენა.

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლევან ბერიძე, **კახა გაბუნია**	„SALATVELO” (ლატვიური ენის სახელმძღვანელო ქართულენოვანი შემსწავლელებისთვის)	ლატვია, რიგა. LVA	170
ანოტაცია ქართულ ენაზე ლატვიური ენის სახელმძღვანელო ქართულენოვანი შემსწავლელებისთვის				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				

3				

ანოტაციები ქართულ ენაზე

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	დარეჯან თვალთვაძე	ИЗ ИСТОРИИ ДРЕВНЕ-ГРУЗИНСКОЙ ПЕРЕВОДЧЕСКОЙ ТРАДИЦИИ: ПРИНЦИПЫ И МЕТОДЫ ВЫБОРА ОРИГИНАЛА, «ЯЗЫК И МЕЖКУЛЬТУРНЫЕ КОММУНИКАЦИИ“(Proceedings of the **V** International Scientifical Conference, Kalba_ir kontekstai).	№5	Vilnius: Edukologija	11

ანოტაცია ქართულ ენაზე

ИЗ ИСТОРИИ ДРЕВНЕГРУЗИНСКОЙ ПЕРЕВОДЧЕСКОЙ ТРАДИЦИИ: ПРИНЦИПЫ И МЕТОДЫ ВЫБОРА ОРИГИНАЛА

ძველი ქართული მთარგმნელობითი ტრადიციის ისტორიიდან: დედნის შერჩევის პრინციპები და მეთოდები

ქართულ მთარგმნელობითი ტრადიციის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში განსაკუთრებული ეტაპი იწყება XI საუკუნიდან, როცა ასპარეზზე გამოდიან ელინოფილური მთარგმნელობითი სკოლის წარმომადგენლები, რომლის ერთ-ერთ გამორჩეული წარმომადგენელი იყოს შავი მთის (ანტიოქიის რეგიონი) სამონასტრო ცენტრში მოიღვაწე მთარგმნელი და მეცნიერი ეფრემ მცირე. მან ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში ახალი მიდგომები და პრინციპები დაამკვიდრა, რაც დედნის ზედმიწევნითი სიზუსტით თარგმნას გულისხმობდა.

ეფრემის კონცეფციის მიხედვით, თხზულების თარგმნა “სანდო და უეჭვი” დედნის მოპოვებით იწყება. ასეთი კი, პირველ რიგში, შეიძლება იყოს მხოლოდ ორიგინალი და არა თუნდაც უზადოდ შესრულებული სხვაენოვანი თარგმანი. თხზულება უნდა ითარგმნოს იმ ენიდან, რომელზედაც ის დაიწერა.

იმდროინდელ მთარგმნელთა ლიტერატურული ეტიკეტი დედნის შერჩევის დროს მთარგმნელს აიძულებდა გამოეკვლია, ხომ არ იყო მის მიერ სათარგმნად შერჩეული თხზულება უკვე თარგმნილი ქართულად, რადგან წიგნის მეორედ თარგმნის ყოველ კონკრეტულ ფაქტს დამაჯერებელი დასაბუთება სჭირდებოდა, რომ ეს კადნიერებად და „თავისა უკეთ გამოჩინების“ სურვილად არ ყოფილიყო შერაცხილი.

უკვე თარგმნილი თხზულების ხელახლა თარგმნა მხოლოდ მაშინ მიიჩნეოდა დასაშვებად, როცა თარგმანი შესრულებული იყო არა იმ ენიდან, რომელზედაც შეიქმნა თხზულება, ან როცა დედანი წინა მთარგმნელის მიერ შემოკლებული იყო ან განვრცობილი, რის გამოც თარგმანს დედნისეული სიღრმე და სიცხადე შეეძლო დაეკარგა.

მეთერთმეტე საუკუნის ბოლოს და მეთორმეტე საუკუნის დასწყისში მოღვაწე ქართველ მთარგმნელთა მიდგომა და დამოკიდებულება დედნის შერჩევის საკითხისადმი დღესაც აქტუალურია. ეფრემ მცირის ცნობილი ფრაზის განზოგადებას თუ მოვახდენთ, რომელშიც ის ყველაფრის ბერძნულიდან თარგმანს და ამავე დროს ზუსტად თარგმნას

მოითხოვს („ყოველივე ბერძნულისაგან და ვითარ იგი ბერძნულად არს“), ასეთ ფორმულირებას მივიღებთ: „ყოველივე ორიგინალიდან და ყველაფერი ისე, როგორც ორიგინალშია“, რაც მთარგმნელობითი საქმიანობის ქვაკუთხედია დღესაც: თარგმანი უნდა შესრულდეს იმ ენიდან, რომელზედაც ის დაიწერა და უნდა შესრულდეს ისე, რომ მან იგივე აზრი და ემოცია გადმოსცეს, რაც ორიგინალმა.					
2	**დარეჯან თვალთვაძე** ირინა გველესიანი	Globalization and Its Role in the Development of Post-Soviet Higher Education Institutions (on the Example of Ivane Javakhishvili Tbilisi State University) : Proceedings of the International Scientific Conference,	Volume I.	http://journals.ru.lv/index.php/SIE/issue/view/23	8

ანოტაცია ქართულ ენაზე

Globalization and Its Role in the Development of Post-Soviet Higher Education Institutions (on the Example of Ivane Javakhishvili Tbilisi State University)

გლობალიზაცია და მისი როლი საქართველოს პოსტ-საბჭოთა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარებაზე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მაგალითზე)

ნაშრომში განხილულია გლობალიზაციის გავლენის საკითხი პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ საგანმანთლებლო სივრცეში მიმდინარე პროცესებზე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე მოცემულია ბოლო წლების განმავლობაში საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში ჩართვის, სტუდენტთა და პროფესორთა გაცვლითი პროგრამების არის გაფართოების, აგრეთვე სეზონური სკოლების ორგანიზების გზით უმაღლეს სასწავლებლებში გატარებული მნიშვნელოვანი ცვლილებების ანალიზი და უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრირების სხვა საშუალებები.

3	**დარეჯან თვალთვაძე** ირინა გველესიანი	RECENT REDAGOGICAL STRATEGIES DIRECTED TOWARDS THE MAINTENANCE OF NATIONAL IDENTITY მიღებულია დასაბეჭდად კრებულში Society, Inegracion, Education,.	Volume IV	Rezeknes Augstskola (Latvia)	8
№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
4	**ქეთევან მარგიანი-სუბარი**	„ევიდენციალობა და სვანური ზმნის პარადიგმა“, ჰაინც ფენრიხის იუბილესადმი მიძღვნილი კრებული „Kaukasiologie heuTe”		გერმანია, იენა, „Verlag Kɒnig‘	12

ანოტაცია ქართულ ენაზე

ევიდენციალობა და სვანური ზმნის პარადიგმა

სტატია შეეხება სვანური ენის იმ ზმნურ ფორმებს, რომელთა შესახებ ინფორმაცია და სემანტიკური დახასიათება სპეციალურ ლიტერატურაში ან არასრულია, ან საერთოდ არ არის. როგორც ცნობილია, სვანურის ე. წ. "მეტი" მწკრივები (ა. შანიძე), ტრადიციული შეხედულებით, მყოფადუსრული და I სერიის თურმეობითებია. სტატიაში კი დადასტურებულია, რომ ზოგი სხვა მწკრივის ორგვარი წარმოების შემთხვევაში მათ შორის სემანტიკური სხვაობა ლიტერატურაში გათავალისწინებული არ არის.

ნაშრომში ასევე განხილულია უცხოელ კოლეგათა მოსაზრებები ევიდენციალობის შესახებ ქართველურ ენებში: „ქართულ ენაში გვაქვს ევიდენციალური პერფექტი ევიდენციალობის ფართო გაგებით, შემდგომი ასპექტების გარეშე" (Willet); „სვანურს, ისევე, როგორც ქართულს, ირიბი ევიდენციალური ფორმების შემდგომი, დეტალური დიფერენციაცია (ეპისტემიკა, ინფერენცია...) **არ ახასიათებს**, თუმცა თავად ევიდენციალურ ფორმათა მნიშვნელობა საკმაოდ ტევადია, ფართოა" (Сумбатова) და გამოთქმულია საპირისპირო მოსაზრება სვანური მასალის ანალიზის საფუძველზე.

ანოტაცია ქართულ ენაზე

5	Anna Kharanauli Tina Dolize	*Georgian Christianity, The Bible*, in: Encyclopedia of the Bible and its Reception (de Gruyter, Berlin)	*Encyclopedia of the Bible and Its Reception* 9	Walter de Gruyter, Berlin/Boston	6
№	ავტორი / ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
6	**M Ломия** (თანაავტორი რ. გერსამია)	Сингаксические структуры в переводе материал картвельских языков; **Сборник научних трудов** *Специальный и художественный перевод: Теория, Методология, Практика.*		კიევი, უკრაინა „Аграр Медіа Груп",	**4**

ანოტაცია ქართულ ენაზე

სტატიაში ქართველური ენების მასალის მიხედვით განხილულია სამი ტიპის სინტაქსური სტრუქტურა და მათი აზრობრივი გადმოცემის თავისებურებანი ზედმიწევნითი (სიტყვასიტყვითი) თარგმანის დროს; საუბარია საერთაშორისო სტანდარტით ლინგვისტური ანოტაციის მიხედვით პრობლემის მოგვარების მეთოდოლოგიაზე.

7	**M.Lomia** (თანაავტორები: ზ. კიკვიძე, რ. გერსამია)	Phonosemantic Reduplication in Kartvelian (South Caucasian) Languages. Linguistics Beyond and Within 2015-International Linguistics Conference in Lublin; Mind, Language,		ლუბლინი,პოლონეთი Polska Akademia Nauk (PAN)	**2**

		Society: Towards a Unified Theory of language Structure and Use; **Book of Abstracts.**			

ანოტაცია ქართულ ენაზე

მოხსენებაში საუბარია ქართველურ ენებში არსებული ფონოსემანტიკური რედუპლიკაციის ყალიბებზე როგორც მორფოლოგიური, ასევე ფონოლოგიური პარამეტრების მიხედვით. სტრუქტურული და ფუნქციური მახასიათებელების გათვალისწინებით ცხადი ხდება, რომ ფონოსემანტიკური რედუპლიკაცია ქართველურ ენებში მორფონოლოგიურ მოვლენას წარმოადგენს.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
8	Nino Sharashenidze	**Epistemic Modality in Georgian**, Verbum, 2014, vol. 5, 178 -192, http://www.journals.vu.lt/verbum/article/view/5006	Vilnius	12	Nino Sharashenidze

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
9	**ინგა სანიკიძე**	რუსულენოვანი ლექსიკა თანამედროვე ქართულ ენაში		ქ. გრანადა, ესპანეთი,	იბეჭდება

ანოტაცია ქართულ ენაზე

რუსულენოვანი ლექსიკა თანამედროვე ქართულ ენაში

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	დარეჯან თვალთვაძე	რატომ გახდა საჭირო ძველი ქართული თარმანების „ახლად თარგმნა“ მეთერთმეტე საუკუნეში?	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერნცია „იდეოლოგია და ლინგვისტური იდეები, თბილისი, 4-6 ოქტომბერი, 2015

მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე

რატომ გახდა საჭირო ძველი ქართული თარმანების „ახლად თარგმნა“ მეთერთმეტე საუკუნეში?

„ახლად (მეორედ) თარგმნა არა ჯერ-არს“, - ასეთი იყო ძველ ქართველ მთარგმნელთა ეტიკეტი, რადგან მიაჩნდათ, რომ „მეორედ თარგმანებული წინააღმდგომად პირველისა გამოჩნდების“. „ახლად თარგმნის“ ყოველი შემთხვევა საფუძვლიანად მოტივირებული უნდა ყოფილიყო. მიუხედვად ამისა, ძველ ქართულ მწერლობის ისტორიაში არაერთი ფაქტი დასტურდება ერთი თხზულების მეორედ თარაგმნისა.

ერთი თხზულების რამდენჯერმე თარგმნას მრავალი სხვადასხვა მიზეზი განაპირობებდა, მაგრამ საეკლესიო მწერლობის უმნიშვნელოვანესი ძეგლების, უპირველესად კი ბიბლიური წიგნების, „ახლად თარგმნის“ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილება, როცა X საუკუნის 80-იან წლებში ქართულმა სახელმწიფომ რელიგიურ-პოლიტიკური ორიენტაცია ბიზანტიისაკენ აიღო, რამაც თავის მხრივ წარმოშვა აღმოსავლეთის ეკლესიათა ლიტურგიკულ ტრადიციებზე დაფუძნებული და დასავლეთის ეკლესიებში კანონიზირებული ტექსტისაგან განსხვავებული ძველი ქართული თარგმანების რევიზიის საჭიროებაც. „ყოველივე ბერძულისაგან და ვითარ იგი ბერძულად არს“- ამგვარმა კონცეფციამ აუცილებელი გახადა ქრისტიანული მწერლობის უმნიშვნელოვანესი წერილობითი ძეგლის სახარება-ოთხთავის ძველი ქართული თარგმანების ბერძნული სახარების ე.წ. ბიზანტიურ რედაქციასთან შედარება-შეჯერება და მისი „ახლად თარგმნაც“. ეს საპასუხისმგებლო საქმე თავს იდო წმ. გიორგი ათონელმა (მთაწმიდელმა), რომლებმაც ქართული თარგმანების ბერძნულთან სამჯერ შედარების შედეგად მისი ახალი (ათონური) რედაქცია ჩამოაყალიბა. გიორგი ათონელის მიზანი იყო ზუსტად „ ვითარ იგი ბერძნულად არს“ გადმოეღო ბერძნული დედნის ტექსტი. სიზუსტის დასაცავად მას ზოგჯერ უხდება ქართულ ტექსტში სიტყვათა დამატება ან დაკლება, ლექსიკისა და გრამატიკულ ფორმათა შეცვლა, სიტყვათა რიგის შენაცვლება, ბერძნული და ქართულ ენების გრამატიკულ-სტილისტურ თავისებურებათა გათვალისწინებაც და, ამის შესაბამისად, თარგმანის ენის დახვეწა-განახლება. გარდა ამისა, ახდენს ოთხთავის როგორც ხელნაწერი წიგნის „ბერძნულსა წესსა ზედა განართვას“, რაც გულისხმობს მისთვის ისეთივე კრიტიკული აპარატის დართვას (ევსები კარპიანეს ეპისტოლე, კანონები, სახრარების თავთა ჩამონათვალი, საწელიწდო სახარება...), როგორიც ჩვეულებრივ ახლავს იმ პერიოდის სახარების ბერძნულ მანუსკრიპტებს და, ფაქტობრივად, ქმნის ბიზანტიური ხელნაწერი ოთხთავების ქართულ ანალოგს, რომელშიც „ყოველი სიტყუაჲ დასაჯერებელ იყუნეს“.

2	**დარეჯან თვალთვაძე, მაია მადუაშვილი,** ეკა კვირკველია	ელექტრონული კურსებისა და ტექსტური ბაზების გამოყენება სწავლების პროცესში (თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის გამოცდილება)	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქართული ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები“, III, თბილისი, 10-15 სექტემბერი , 2015

მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე

ელექტრონული კურსებისა და ტექსტური ბაზების გამოყენება სწავლების პროცესში

(თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის გამოცდილება)

დღეს, როდესაც ციფრული ჰუმანიტარია მძლავრად იკიდებს ფეხს საქართველოში და აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ქართული ენის ეროვნული კორპუსის შესაქმნელად, ელექტრონული სწავლების დანერგვასთან ერთად მნიშვნელოვანია სწავლების პროცესში არსებული ელექტრონული ბაზების მაქსიმალურად გამოყენება, რათა სტუდენტებმა შეძლონ კორპუსში მუშაობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება და შემდგომში საკუთარი ინტერესისამებრ გამოყენება.

უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში ბოლო დროს აქტიურად დაინერგა ელექტრონული სწავლების პორტალი (MOODLE), სადაც განთავსებულია ელექტრონული კურსები სხვადასხვა საგნებისათვის. მათ შორის არის „ქართული პალეოგრაფიისა“ და „ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის“ კურსები. ელექტრონული კურსის გამოყენებით სტუდენტებს შეუძლიათ სალექციო თემებისა და პრეზენტაციების, სასწავლო მასალისა და დავალებების ნახვა, კურსთან დაკავშირებული სიახლეებისათვის თვალის მიდევნება.

ამგვარი მიდგომა აიოლებს მასალაზე წვდომას, ეფექტურს ხდის როგორც სწავლების, ისე სწავლის პროცესს და, ამასთანავე, არის დროის ეკონომიის მოქნილი საშუალება.

სალიტერატურო ენის ისტორიის კურსის ფარგლებში სილაბუსით გათვალისწინებული მასალის ათვისების შემდეგ სტუდენტებს მოეთხოვებათ რეფერატისა და პრეზენტაციის მომზადება. რეფერატისა და პრეზენტაციის მომზადებისას აუცილებელი პირობაა ემპირიული მასალის მოსაძიებლად ელექტრონული ბაზებისა და კორპუსების გამოყენება, რაც იძლევა საკითხთა როგორც სინქრონიული, ისე დიაქრონიული კუთხით კვლევის საშუალებას. ძირითადი ელექტრონული რესურსია ქართული ენის ეროვნული კორპუსი (GNC) და ის ქვეკორპუსები, რომლებიც საფუძვლად დაედო მის შექმნას: TITUS-ის ელექტრონული ტექსტების ბაზა, ARMAZI-ს ელექტრონული ტექსტების ბაზა, GEKKO - ქართული კორპუსი და ქართული დიალექტური კორპუსი.

აღნიშნულ ტექსტურ ბაზებსა და კორპუსებზე მუშაობა სტუდენტებს უფართოვებს თვალსაწიერს, აძლევს საშუალებას აღიქვან ენობრივი პროცესები ისტორიულ ჭრილში და ამავე დროს დააკვირდნენ ენის განვითარების თანამედროვე ვითარებას, თავად შეამოწმონ ესა თუ ის თეორიული დებულება და მასალის საშუალებით მოახდინონ მისი ვერიფიკაცია. მოქნილი საძიებო სისტემები ამარტივებს კვლევას, იძლევა სიტყვაფორმათა ანალიზის, სტატისტიკის გაკეთებისა და სანდო დასკვნების გამოტანის საშუალებას. შესაბამისად, სამუშაო პროცესიც უფრო მარტივი და სახალისო ხდება სტუდენტებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი არა მხოლოდ მომხმარებელია თანამედროვე კორპუსებისა, არამედ აქტიურად არის ჩართული ქართული ენის ეროვნული კორპუსის შექმნაში. საერთაშორისო პროექტში "ქართული ენის ეროვნული კორპუსი - ტექნოლოგიური ჩარჩოს შექმნა", რომელიც Volkswagen Stiftung-ის მიერ ფინანსდება, მონაწილეობს სტუდენტთა ორი ჯგუფი. ერთი, რომელშიც 16 სტუდენტია ჩართული, ახორციელებს ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლების დიგიტალიზირებას, ხოლო მეორე ჯგუფი – უკვე არსებული ტექსტების ანოტირებას.

ამგვარად, მსოფლიოში წარმოუდგენელი სისწრაფით მიმდინარე ტექნიკური პროგრესის პირობებში ძალზე მნიშვნელოვანია არსებული ელექტრონული რესურსების უფრო აქტიურად გამოყენება და დანერგვა სწავლების პროცესში. ამგვარი მიდგომა საშუალებას აძლევს სტუდენტებს წარმართონ თავიანთი სამეცნიერო კვლევები თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

3	დარეჯან თვალთვაძე	წინაათონური რედაქციის ერთი ოთხთავი ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმიდან (ქუთ. N 363)	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-9 სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 17-18 ივნისი

მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე

წინაათონური რედაქციის ერთი ოთხთავი ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმიდან (ქუთ.N 363)

ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში ოთხთავის ძველი ქართული თარგმანების შემცველი რამდენიმე ათეული ხელნაწერი ინახება, მათ შორის რამდენიმე მანუსკრიპტი XI-XII საუკუნისა, რომელთა უმრავლესობა სახრების ათონური რედაქციის ტექსტს შეიცავს. ქუთაისში დაცული წინაათონური რედაქციის ტექსტის შემცველი რამდენიმე მანისკრიპტიდან ჩვენი შესწავლის საგანია 1013 წელს გადაწერილი ერთი ხელნაწერი, რომელიც მუზეუმში N 363 -ითაა დაცული. ხელნაწერი ფრაგმენტულია და შეიცავს მხოლოს ლუკას სახარების (14,34-ბოლომდე) და იოანეს სახარების დასაწყისს (48 მუხლს), ახლავს გადამწერის და მომგებლის ვრცელი ანდერძები და რამდენიმე გვიანდელი ანდერძ-მინაწერიც.

ოთხთავის აღნიშნული ხელნაწერით პირველად არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია) დაინტერესდა, რომელმაც 1916 წელს გამოაქვეყნა ლუკას სახარების ტექსტის ნაწყვეტი და ხელნაწერზე დართული ანდერძიც, რომელშიც მითითებული ქრონიკონის მიხედვით (სლგ = 233) იგი 1013 წლით დაათარიღა, თუმცა 1964 წელს ე. ნიკოლაძის მიერ შედგენილ ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობაში მანუსკრიპტის გადაწერის თარიღად 1545 წელია მითითებული, რაც, რასაკვირველია, შეცდომაა. აღნიშნული მანუსკრიპტის

გადაწერის თარიღისა და ადგილის შესახებ საინტერესო მოსაზრება გამოთქვა თ.ჯოჯუამ, რომელმაც სწორად შენიშნა, რომ ხელნაწერს დართულ ანდერძებში მეფე ბაგრატ მეოთხის თანამედროვე ისტორიული პირები და რეალიებია ასახული და ამიტომ ოთხთავის დათარიღებისას ათვლა XIII მოქცევის დასაწყისიდან (780 წ.) უნდა მოხდეს, რაც სწორედ 1013 წელზე მიუთითებს.

ხელნაწერის პალეოგრაფიული და ტექსტოლოგიური შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ მანუსკრიპტის პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური მახასიათებელებიც მეთერთმეტე საუკუნეზე მიუთითებს და არა მეთექვსმეტეზე, მასში დაცული ტექსტი კი წინაათონური (მეთერმეტე საუკუნის შუა წლებამდე შექმნილი) რედაქციის ტექსტია.

როგორც მანუსკრიპტში დაცული ტექსტის წინაათონური რედაქციის სხვა ნუსხების მონაცემებთან შედარებამ გვიჩვენა, ქუთ. 363-ში დაცული ტექსტი პროტოვულგატური ხელნაწერების იმ ჯგუფს უახლოვდება, რომლებიც ჯრუჭის, პარხლის და მეათე საუკუნის სინურ ოთხთავებშია დაცული.

4	**დარეჯან თვალთვაძე** ეკა კვირკველია	სვანეთში დაცული ოთხთავის ხელნაწერები	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია კავკასიური ცივილიზაცია: ინტერდისციპლინარული კვლევები მესტია, 6-10. სექტემბერი

მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე

სვანეთში დაცული ოთხთავის ხელნაწერები

სახარების ქართული თარგმანის ტექსტის ისტორიის კვლევისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენამდე მოღწეული თითოეული ხელნაწერის მეცნიერულად შესწავლასა და მასში დაცული ტექსტის მიმართებების დადგენას ოთხთავის ქართული თარგმანის რედაქციებთან.

პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური და ტექსტუალური თვალსაზრისით ძალიან საინტერესო სურათს იძლევა როგორც უშუალოდ სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში დაცული ხელნაწერები, ასევე ისინი, რომლებიც ამ კუთხის სხვადასხვა სოფლის ტაძრებში ინახება.

სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში დაცული ხელნაწერების კატალოგი ელენე მეტრეველმა შეადგინა, რომელიც გამოცემული არ არის. იგი არსებობს ხელნაწერის სახით ორ პირად. ერთი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, მის არქივში, ნომრით 369, მეორე – სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში. უკანასკნელ წლებში ხელნაწერები ხელახლა გადაინომრა და ამჟამინდელი ნუმერაცია ელენე მეტრეველისას აღარ ემთხვევა.

სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში შემდეგი ოთხთავებია დაცული: N83 – ადიშის ოთხთავი (897 წლის), მესტიის (1033წ.), N72 – ლაბსყალდისა (XII-XIII სს.), N73 – იენაშის (XIIIს.), N74 – ტვიბერის (XI ს.), N76 – ლაჰილის (XIV ს.), №64 – ოთხთავი, 76 ფურცელი (XIII ს.), ასევე, ოთხთავის ფრაგმენტები: N8 – ოთხთავის ფრაგმენტები, 4 ფურცელი, (XI ს.), N37 – ოთხთავი, 10 ფურცელი (XII-XIII ს.), N43 – სახარების საკითხავები, 20 ფურცელი (XV-XVI სს.).

გარდა სრული და ფრაგმენტული ოთხთავებისა, სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში ინახება სახარების პალიმფსესტური ფურცლებიც: N38, 39, 40, 41.

მუზეუმს გარეთ, სვანეთის სოფელ ეწერში, ქურაშში ინახება ქურაშის ოთხთავი, სოფ. ლახუშტის ეკლესიაში – ლახუშტის ოთხთავი, ხოლო სოფ. ლახამულაში – ლახამულას ოთხთავი.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება სვანეთში დაცული ოთხთავის ხელნაწერების კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური შესწავლის შედეგად მიღებული დასკვნები.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
5	**Anna Kharanauli**	**Georgian Manuscripts of the**	საერთაშორისო

		Bible – Textual Variety at One Glance	კონფერენცია "გადამწერის შეცდომიდან ახალ ტექსტებამდე: შეიძლება თუ არა შეიცვალოს (წმინდა) წერილი" ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 30 აპრილი-3 მაისი

მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე

ისტორიულ წყაროებს, რომლებიც მოგვითხრობენ იმის შესახებ, თუ სად, როდის და რა ვითარებაშიითარგმნა წმიდა წერილი ქართულად, ჩვენამდე არ მოუღწევია. წერილობითი ცნობები არ გვაქვს არც ტექსტის შემდგომი ისტორიის შესახებ, ათონურ ხანამდე, რომელიც ისეთივე წყალგამყოფია ქართული ბიბლიის ტექსტის ისტორიაში, როგორც ორიგენესი - ბერძნული ბიბლიისათვის. ამდენად, მთელი ჩვენ ცოდნა ქართული ბიბლიის ხანგრძლივი ისტორიის შესახებ ქართული ხელნაწერების კოდიკოლოგიურ და ტექსტოლოგიურ კვლევას ეფუძნება.
მოხსენებაში მე ვეცდები უძველესი ქართული ხელნაწერებისა და მათი ფრაგმენტების საფუძველზე, როგორც მოზაიკის კენჭებისგან, ისე, აღვადინო ერთიანი სურათი ქართული თარგმანების ტექსტის ისტორიისა და ეს ისტორია განვიხილო იმ მწიგნობრული სკოლების, ბიბლიოთეკებისა და სკრიპტორიუმების ფონზე, სადაც ხდებოდა ბიბლიის ქართული ხელნაწერების შექმნა; შევეცდები ერთი თვალის გადაკვრით წარმოვადგინო წმიდა წერილის ის ტექსტუალური მრავალფეროვნება, რომელიც ქართულმა ხელნაწერებმა შემოგვინახეს.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
6	**რამაზ ქურდაძე, მაია ლომია, ქეთევან მარგიანი-სუბარი**	“ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისურლექსიკონში ქართველური ენების მონაცემთა სისტემატიზაციის თეორიული საფუძვლებისათვის”	თბილისი, თსუ, 24-25 ივნისი

მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე

„ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისურ ლექსიკონში ქართველური ენების მონაცემთა სისტემატიზაციის თეორიული საფუძვლებისათვის“.

აღნიშნულ ლექსიკონში ქართველური მასალის სისტემატიზაციისათვის ამოსავალია ქართული ენა და ამის შესაბამისად წარმოდგენილია მონათესავე ქართველური ენების სალექსიკონო ერთეულები სემანტიკური შესაბამისობის გათვალისწინებით. ამას მოჰყვება ქართული ენის მონაცემების თარგმნა ინგლისურად, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ინგლისური თარგმანი ახლავს სპეციფიკურ ქართველურ ლექსიკურ ერთეულებსაც.
მოხსენებაში ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური ლექსიკონის ქართველურიენების მონაცემთა სისტემატიზაციის თეორიულსაფუძვლებს განვიხილავთ რო-

გორც საერთოქართველური ფუძე ენიდან მომდინარე ლექსიკური ერთეულების, ასევე სხვა ენებიდან სხვადასხვა დროის ნასესხობების საშუალებით.			
7	**რამაზ ქურდაძე**	„იდეოლოგიზირებული ცხოვრება, იდეოლოგიზირებული ლექსიკონები“	თბილისი, საქართველო, 4-6 ოქტომბერი
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე „იდეოლოგიზირებულიცხოვრება, იდეოლოგიზირებულილექსიკონები“. მოხსენებაში განხილულია საბჭოთა პერიოდში გამოცემული ქეგლ-ის სიტყვა-ფორმათა იდეოლოგიზირებული განმარტებები, რაც იმდროინდელი სახელმწიფო პოლიტიკით იყო განპირობებული, წინააღმდეგ შემთხვევაში ლექსიკონი არ გამოვიდოდა.			
8	**რამაზ ქურდაძე**	„ქართველური ლექსიკა, როგორც არამატერიალური კულტურული მეკვიდრეობა და ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური ლექსიკონი“	თბილისი, საქართველო, 5-7 ნოემბერი
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე „ქართველურილექსიკა, როგორცარამატერიალურიკულტურულიმეკვიდრეობადაქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისურილექსიკონი“. მოხსენებაში განხილულია ქართველური ლექსიკა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით და ნაჩვენებია თუ როგორაა ასახული ამგვარი ლექსიკა ახლადგამოცემულ ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური ლექსიკონში.			
9	**რამაზ ქურდაძე (მაია ლომიასთან და ქეთევან მარგიან-სუბართან** თანაავტორობით)	”ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური ლექსიკონი და ქართველურ ენათა ლექსიკოლოგია ლექსიკოგრაფიის საკითხები“	თბილისი, საქართველო, 11-13 ნოემბერი
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე „ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისურილექსიკონიდაქართველურენათა ლექსიკოლოგია ლექსიკოგრაფიის საკითხები“ მოხსენებაში განხილულია ქართველურ ენათა ლექსიკის შესწავლის მდგომარეობა თანამედროვე ეტაპზე და განსაზღვრულია ხუთენოვანი - ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური ლექსიკონის ადგილი და მნიშვნელობა ქართველურ ენათა ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის შესწავლის თვალსაზრისით.			
№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
10	**კახა გაბუნია**	ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლებისათვის საქართველოს არაქართულენოვან სკოლებში: იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო	27 ოქტომბერი,თბილისი.

		კონფერენცია	
№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
11	**რუსუდან ზექალაშვილი**	ფაზურ და დესემანტიზებულ ზმნათა ფუნქციები ქართულში: საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი, I „ქართველოლოგიის პრობლემები და პერსპექტივები	2015 წლის 11-13 ნოემბერი, თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი

მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე

ფაზურ და დესემანტიზებულ ზმნათა ფუნქციები ქართულში

სტატია ეძღვნება ფაზურ და დესემანტიზებულ ზმნებს ქართულში სამეცნიერო, პუბლიცისტურ და ოფიციალურ-საქმიან ფუნქციურ სტილებში ქართული ეროვნული კორპუსის მონაცემებზე დაყრდნობით, მათს სემანტიკასა და გამოყენების სიხშირეს. ხაზი ესმება, რომ ამ ტიპის წარმოება ამრავლებს ენაში კალკებს, კლიშეებსა და აღწერილობითს ფორმებს. აღწერითი ნომინაციის ამ სახეებში ზმნების ლექსიკური მნიშვნელობა მიჩქმალულია და წინ წამოწეულია მხოლოდ გრამატიკული ფუნქცია. გაანალიზებულია ზმნურ-სახელური შესიტყვებების სემანტიკური ნიუანსები და გამოყენების მიზანშეწონილობა.

დასმულია საკითხი ამ ტიპის სინტაგმების დიფერენცირებული შესწავლისა, რომ მოინახოს გზები მათი თავიდან ასაცილებლად და კალკებისაგან ენის გასათავისუფლებლად.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ზოგიერთი შესიტყვება ბუნებრივი და მისაღებია (ახორციელებს გეგმას, პროექტს, ჩანაფიქრს, პოლიტიკას, კონტროლს; აწარმოებს პროდუქციას; ატარებს კონცერტს, ღონისძიებას, რეფორმას). მასდარიან შესიტყვებებში გამოყოფილია ორი ჯგუფი: ქართულ- და უცხოურფუძიანი (შინაარსით მასდართან ახლოს მდგარი). ავტორის აზრით, მეორე ჯგუფის შესიტყვება მისაღებია ქართულისთვის, ხოლო პირველი ჯგუფის შესიტყვებები სტილისტურ ხარვეზად უნდა მივიჩნიოთ და რედაქტირების დროს ყურადღება უნდა მიექცეს მათს შეცვლას ქართული ენისთვის ბუნებრივი ფორმებით.

12	რუსუდან ზექალაშვილი	ქართული ზმნის ფუძე, ძირი და აფიქსთა კომბინაციები: ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა IV საერთაშორისო სიმპოზიუმი „იბერიულ-კავკასიურ ენათა ფუძისა და ძირის სტრუქტურის საკითხები”	თბილისი, 4-6 ნოემბერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი

მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე

ქართული ზმნის ფუძე, ძირი და აფიქსთა კომბინაციები

ყურადღება მიქცეულია ქართული ზმნის აგებულებაზე, კერძოდ ფუძესა და ძირზე; სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, გამოყოფილია ძირის სახეები

მარცვლიანობისა და ბგერითი შემადგენლობის მიხედვით: უმარცვლო (ერთ-, ორ- და სამთანხმოვნიანი), ერთ- ან მრავალმარცვლიანი.

ქართული ზმნის წარმოებაში გამოყოფილია პროდუქტიული ნასახელარი ზმნები მოქმედებითი, ვნებითი ან საშუალი გვარისა.

გაანალიზებულია ზმნური აფიქსები პოზიციათა მიხედვით: ზმნის ძირამდე და ზმნის ძირის შემდეგ გამოყენებული. გამოყოფილია ზმნურ ფუძეთა ნაირსახეობები, დაწყებული უმარტივესი ფუძეებით და დამთავრებული 11-მორფემიანით; დადასტურებულია ზმნურ აფიქსთა მაქსიმალური რაოდენობა, რაც შედარებულია პროფ. ჰ. ფენრიხის შეხედულებასთან; ნაჩვენებია ქართული ზმნის აგებულების ძირითადი სქემა.

13	რუსუდან ზექალაშვილი	ვერბალური თავაზიანობის ფსიქოლოგიური საფუძველი: III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“	30-31 ოქტომბერი, ქუთაისი, ა. წერეთლის სახ. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე

ვერბალური თავაზიანობის ფსიქოლოგიური საფუძველი

მოხსენებაში დაყენებულია საკითხი თავაზიანობის, როგორც ვერბალური კომუნიკაციის სტრატეგიის შესახებ, რომელზეც მოქმედებს ბევრი ექსტრალინგვისტური ფაქტორი: კომუნიკანტთა დამოკიდებულება, სოციალური სტატუსი, საკომუნიკაციო სიტუაცია და მოუბარი პირის ინტენცია. თავაზიანობის გამოხატვის ფორმათა განსხვავება ახსნილია ხალხის კულტურით, ტრადიციებით, სულიერ ღირებულებათა იერარქიითა და სამეტყველო ეტიკეტის ისტორიულად ჩამოყალიბებული წესებით.

გამოყოფილია თავაზიანობის მექანიზმის ფსიქოლოგიური ასპექტები, კერძოდ კი, ემპათია ანუ თანაგანცდის ფენომენი, მისი გამოვლენის ენობრივი ფორმები დიალოგურ მეტყველებაში.

14	რუსუდან ზექალაშვილი	ქართული ენის სასწავლო ელექტრონული ლექსიკონი და მისი სალექსიკონო სტატიის აგებულება: ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია	ქუთაისი, 24-25 ოქტომბერი, ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკა

მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე

ქართული ენის სასწავლო ელექტრონული ლექსიკონი და მისი სალექსიკონო სტატიის აგებულება

სტატიაში განხილულია ქართული ენის სასწავლო ელექტრონული ლექსიკონის შედგენის სპეციფიკა უცხოელთათვის და სალექსიკონო სტატიის აგების პრინციპები მეტყველების ნაწილთა მიხედვით. აღნიშნული ლექსიკონი ეყრდნობა ქართული ენის ფლობის დონეების სტანდარტულ აღწერილობას; გამოყოფილია აღნიშნული ტიპის ლექსიკონის პარამეტრები: სიტყვათა შერჩევის პრინციპები, მათი გრამატიკულ-სემანტიკური დახასიათებისა და ძიების შესაძლებლობები, სალექსიკონო სტატიის სტრუქტურა, სიტყვათა თემატური კლასიფიკაციის ძირითადი მახასიათებლები.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია სიტყვა-სტატიაში გამოყოფილ ბლოკებზე, რომლებიც ემსახურება ლექსიკური ერთეულის გრამატიკულ, სემანტიკურ, დერივაციულ დახასიათებასა და თემატიზაციას. ლექსიკონის უპირატესობად მიჩნეულია ფორმაცვალებადი მეტყველების ნაწილების (სახელებისა და ზმნების) სრულ პარადიგმათა ჩვენება, კონოტაციები, სემანტიკის ილუსტრირება მოდელური წინადადებებით და სიტყვათა დერივაციული პოტენციის წარმოჩენა

15	რუსუდან ზექალაშვილი	ერთი ფურცელი ქართულ-ოსური ურთიერთობებიდან: საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქართულ-ოსური ურთიერთობების განვითარების პერსპექტივები თანამედროვე ჭრილში“	13-14 ოქტომბერი, თბილისი, თსუ

მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე

ერთი ფურცელი ქართულ-ოსური ურთიერთობებიდან

სტატიაში საუბარია ცხინვალის (ყოფილი სამხრეთ ოსეთის) პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის (გამგე დოც. ოთარ ქაჯაია) წვლილზე ქართულ-ოსური სამეცნიერო და კულტურული ურთიერთობების გაღრმავებაში. განსაკუთრებით ექცევა ყურადღება ცხინვალში მოღვაწე ქართველი ენათმეცნიერების, მათ შორის პროფ. რაფიელ შამელაშვილის ღვაწლს, რომელიც ცხინვალის პედინსტიტუტში ასწავლიდა ქართულ ენას 1958-1972 წლებში. გამოკვეთილია მისი დამსახურება ქართულ-ოსური ურთიერთობების შესწავლაში, მოძიებულია ამ თემატიკასთან დაკავშირებული მისი სტატიები და რეცენზიები.

16	რუსუდან ზექალაშვილი	სურვილის გამოხატვის სპეციფიკა ქართულში: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის	24-25 ივნისი, თბილისი, თსუ

		ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის IX საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი აკად. გიორგი ჩიტაიას დაბადებიდან 125 წლისთავისადმი	

მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე

სურვილის გამოხატვის სპეციფიკა ქართულში

მოხსენებაში გამოყოფილია პირის ნიშანთა ინვერსიის შემთხვევები არარეალური სურვილის გამოხატვისას, როცა ზმნა იღებს წყვეტილის ფორმას, მაგრამ გამოირჩევა რამდენიმე თავისებურებით: იცვლება სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშანთა ფუნქციები და მცირდება ზმნის აგებულებით მოსალოდნელი პირების რაოდენობა; ცალკეა გაანალიზებული შემდეგი კანონზომიერება: გარდაუვალი ერთპირიანი ზმნის ჩანაცვლება ფორმით ორპირიანი და შინაარსით ერთპირიანი გარდამავალი ზმნით; ამას გარდა, დროს ცვლილება: წყვეტილის გამოყენება მომავალი დროის მნიშვნელობით; კაუზატივის აგების დაკარგვა შუალობითი კონტაქტის ფორმასთან.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართულ ენაში ზმნის ფორმისა და შინაარსის დაცილება სურვილის გამომხატველ ფორმებში განპირობებულია მოუბარი პირის ინტენციით, წინ წამოსწიოს რეალური ანუ აღმქმელი სუბიექტი და წარმოადგინოს ის „მან“-ის რიგის ნიშნებით. ზმნა ასეთ შემთხვევაში იმპერსონალური ხდება, რადგან გრამატიკული სუბიექტი დაკარგულია და არც აღდგება.

17	რუსუდან ზექალაშვილი	ანთროპონიმების ჰიპოკორისტიკული ფორმები ქართულ დისკურსში: VI რესპუბლიკური სამეცნიერო სესია ონომასტიკაში	2015 წლის 23-24 აპრილი, თბილისი, თსუ, ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე

ანთროპონიმების ჰიპოკორისტიკული ფორმები ქართულ დისკურსში

მოხსენებაში გამოვლენილია კნინობით-ალერსობით ფორმათა წარმოების პოტენციალი თანამედროვე ქართულ დისკურსში: სუფიქსები, საკუთარი სახელების შემოკლებული ვარიანტები, ასევე არაქართული სუფიქსები. გამოყოფილია კნინობით-ალერსობით ფორმათა სოციოლინგვისტიკური მახასიათებლები.
მითითებულია, რომ ანთროპონიმთა ჰიპოკორისტიკული ფორმებით თანამედროვე ახალგაზრდობის გატაცებას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი თვისებები: ერთი მხრივ, ესაა ცდა, ქართული ონომასტიკა გაამდიდროს ახალი ეროვნული ფორმებით დერივაციული საშუალებების მოშველიებით და გაზარდოს მისი ექსპრესიული შესაძლებლობები, მაგრამ, მეორე მხრივ, ამგვარად ქართულ დისკურსში მკვიდრდება უცხოური და ეგზოტიკური ფორმები, რაც მოითხოვს ყურადღების მიქცევას.

18	**მაია ლომია**	მორფემისა და ძირის მიმართების საკითხი მეგრუ-	5-6 ნოემბერი, თსუ არნ. ჩიქობავას

		ლში.	სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი თბილისი, საქართველო
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში მეგრული ენის აღმოსავლურ არეალში გავრცელებული *ყიდვა* ზმნის სამი პარალელური ზმნური ფორმის - *ვიFიდი, იპიდი, ვიპიდი* – მაგალითზე განხილულია მორფემისა და ძირის მიმართების საკითხი მეგრულში; კერძოდ, საუბარია თითოეულ ფორმაში S1 პირის ნიშნის გამოყოფა-ჩაწერაზე მორფემათა რანგისა და მორფემული ანოტაციის საერთაშორისო სტანდარტის გათვალისწინებით.			
19	**მაია ლომია** (თანავტორები: იზ. ქობალავა, რ. გერსამია)	ულ-ა/ულ-უ „სვლა“ ზმნის სემანტიკა მეგრულსა და ლაზურში	28 აპრილი-1 მაისი, თსუ, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი თბილისი, საქართველო
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში მეგრული და ლაზური ენების მასალაზე განხილულია მოძრაობა-გადაადგილების აღმნიშვნელი ზმნური **ულ-** ძირის სემანტიკური მახასიათებლები: *ა) დინამიკურობა, ბ) მოძრაობის სუბიექტი, გ) მოძრაობის სახე, დ) მოძრაობის დრო.*			
20	მაია ლომია (თანავტორი რ. გერსამია)	ბგერწერითი ლექსიკის სემანტიკური კლასიფიკაცია ლაზურში	28 აპრილი-1 მაისი, თსუ, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი თბილისი, საქართველო
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში მოცემულია ბგერწერითი ლექსიკის სემანტიკური კლასიფიკაცია ლაზური ენის მასალაზე; კერძოდ, გამოყოფილი და გაანალიზებულია: *საკუთრივ ხმაბაძვის ანუ ხმიანობის, დინამიკურობისა და სტატიკურობის* აღმნიშვნელი ლექსიკური ჯგუფები.			
№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
21	**ინგა სანიკიძე**	აკ. წერეთლის პოეტური ენის რამდენიმე სიტყვიერი ხატის შესახებ	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „აკ. წერეთელი და მისი ეპოქა”, 22-23 ივნისი, თსუ, თბილისი, საქართველო.
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე აკ. წერეთლის პოეტური ენის რამდენიმე სიტყვიერი ხატის შესახებ			
22	**ინგა სანიკიძე,** ნ. გონჯილაშვილი,	„ნათლის სვეტის“ სიმბოლო ილ. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის შემოქმედებაში	III საერთაშორისო კონფერენცია „ენა და კულტურა“, 30-31 სექტემბერი, ქ. ქუთაისი, საქართველო.
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე			

„ნათლის სვეტის“ სიმბოლო ილ. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის შემოქმედებაში			
23	**ინგა სანიკიძე**	ნიკოლოზ ბარათაშვილი – „ცისა ფერს“ (სემანტიკური ანალიზი)	ნ. ბარათაშვილის გარდაცვალებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, თსუ, 19 დეკემბერი, საქართველო.

მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე

ნიკოლოზ ბარათაშვილი – „ცისა ფერს“ (სემანტიკური ანალიზი)

ქართული სალიტერატურო ენის განვითარების უწყვეტობა არასოდეს გულისხმობდა აზრისა და სიტყვიერი მასალის ერთფეროვნებას. კლასიკოსი მწერლის ღირებულება მისივე ინოვაციური შემოთავაზებაა. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური ენა თვითმყოფადი გონია, თავისთავადი სამყარო, რომელიც გამორჩეულ ეპოქას ქმნის. ნ. ბარათაშვილის ლექსში „ცისა ფერს“ განსაკუთრებული სიმძაფრით ცხადდება მეტაფორა (ფართო მნიშვნელობით) „ლურჯი“ ფერისა, რომელსაც თავისი მატერიალური არსებობიდან თითქმის აღარაფერი შერჩენია და რომელიც იმთავითვე „განწირულია“ არაერთგაროვანი სემანტიკური გააზრებისთვის. „პირველად ქმნილი ფერი“ და „არა ამ ქვეყნიერი“,– ასეთია პოეტური შეფასების ის ძირითადი შტრიხები, რომელთა ქვეშ რომანტიკულ განცდათა სადა მდინარება და წარმოსახვის მასშტაბი იკითხება. ლექსის კონტექსტური ქსოვილი ინტიმური განცდებით იტვირთება, „სისხლგაცივებულ“ სხეულში საიდუმლებით მოცული „ლურჯი“ იბუდებს („ვფიცავ, არ ვეტრფო/ არ ოდეს ფერსა სხვას“). ერთი მხრივ, სიღრმე, ღელვა, ვნებები, განსაცდელის მოლოდინი და ტკივილში ჩაძირვა შემოდის მკითხველის შემეცნებით სამყაროში; მეორე მხრივ, კი მარადიულობის, უსასრულობის, ღვთაებრივი მიუწვდომლობისა და ამაღლების განცდა – ეს მხატვრული მელოდია პოეტური „სიგიჟეა“ ლექსიკურ-სემანტიკურად გამოხატული. აქ „ლურჯი“ („ცა ლურჯი“; „ლურჯსა ცას“) ადამიანური ზესწრაფვის, სულიერი სრბოლის ხატია, რომელსაც ერთადერთობის ფუნქცია აქვს მინიჭებული და პოეტური თვითდაჯერებულობის ელფერი დაჰკრავს. ფაქტია, რომ ნ. ბარათაშვილთან ეს კონცეპტი ღრმად ესთეტიკურ სახეშია გახვეული დაა სათანადოდაა სელექცირებული. ის მკითხველის დიაპაზონს აფართოვებს და მისსავე ცნობიერებაში დომინანტ აზრად ილექება. სხვა შემთხვევაში ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა რომანტიზმის „ლურჯი“ ფერის ამოფრქვევა სიმბოლისტების ენაში („ლურჯი მოგონება“, „ლურჯი ღიმილი“- გალაკტიონი), რომელშიც ის მეტ არტისტულობას შეიძენს, თუმცა ვერ ასცდება უკვე ნაგრძნობ შინაარსობრივ პარადიგმას.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
24	**გიული შაბაშვილი**	სანამ... მანამ - ქართული ენის რთული სინტაქსური კონსტრუქციების სწავლების საკითხი	27 ოქრომბერი, თსუ
25	**გიული შაბაშვილი,** ელისაბედ ბჟალავა	უნახაობის კატეგორიის შეპირისპირებითი ანალიზი თურქული და ქართული თარგმანების მიხედვით	28 დეკემბერი, თსუ
№	მომხსენებელი/	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების

	მომხსენებლები		დრო და ადგილი
26	**სალომე ომიაძე**	მსაზღვრელიან კომპოზიტთა ნაირგვარი დაწერილობის შესახებ	8 იანვარი, თსუ

მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე

მსაზღვრელიან კომპოზიტთა ნაირგვარი დაწერილობის შესახებ

მოხსენებაში გაანალიზებულ იქნა ის მსაზღვრელიანი კომპოზიტები, რომლებიც პრეპოზიციური წყობის მსაზღვრელ-საზღვრულის შეერთებითაა მიღებული. ამ ტიპის კომპოზიტთა უმართებულ დაწერილობა განსაკუთრებით ხშირია, როდესაც თხზულ სახელში შემავალი ლექსიკური ერთეულები უცხო ენებიდან შემოსული სიტყვებია. საგანგებოდ იქნა განხილული ლექსიკონებში დადასტურებული ამ ტიპის კომპოზიტთა ნაირგვარი დაწერილობა, რაც დაუშვებელია – მსაზღვრელ-საზღვრულის შეერთებით მიღებული კომპოზიტები, უპირველეს ყოვლისა, ლექსიკონებში უნდა დაიწეროს ერთად.

27	**სალომე ომიაძე**	„გრამატიკა – აკაკი შანიძე“ – ასოციაციური წყვილი ქართულ ლინგვოკულტურაში	26 თებერვალი, თსუ

მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე

„გრამატიკა – აკაკი შანიძე“ – ასოციაციური წყვილი ქართულ ლინგვოკულტურაში

ქართულ კოგნიტიურ ბაზასა და ქართულ კულტურულ სივრცეში „გრამატიკა – აკაკი შანიძე“ კულტურულად დეტერმინირებულსა და ეროვნულად მარკირებულ ასოციაციურ წყვილს ქმნის. თავისთავად ის ფაქტი, რომ ამგვარი ასოციაციური წყვილი ქართველი ხალხის ენობრივ ცნობიერებაში არსებობს, ქართველთათვის საკუთარი ენის მნიშვნელოვნებაზე, დედაენის შესახებ ცოდნისა და მისი მოფრთხილების აუცილებლობაზე მეტყველებს.

28	**სალომე ომიაძე**	არნოლდ ჩიქობავას სამეცნიერო დისკურსის პრაგმატიკული თავისებურებანი	28 აპრილი, თბილისი, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი

მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე

არნოლდ ჩიქობავას სამეცნიერო დისკურსის პრაგმატიკული თავისებურებანი

მოხსენებაში განხილულ იქნა ის პრაგმატიკული თავისებურებები, რომლებიც არნ. ჩიქობავას სამეცნიერო შრომებში რთულ ინტელექტუალურ კონსტრუქციებს ნათელსა და მკითხველისათვის ადვილად გასაგებს ხდის, ესენია: თხრობის დაწყების, ინტერესის გაღვივება-შენარჩუნებისა და საუბრის დასრულების გამორჩეული სამეტყველო ტაქტიკა; კითხვითი წინადადებების სიჭარბე, რაც არნ. ჩიქობავას სამეცნიერო დისკურსს ინტერპერსონალურ ხასიათს სძენს; ორწერტილისა და ფრჩხილების თავისებური გამოყენება დასაბუთებული მოსაზრების პედალირებისათვის; პრაგმატიკულ კონექტორთა (არგუმენტაციულისა და მეტადისკურსულის) ფართო სპექტრი, მეტყველების ადრესაცია და სხვა ფაქტორები, რომელთა საშუალებითაც არნ. ჩიქობავა ახერხებს დააინტერესოს განსხვავებული ფონური ცოდნის მქონე მკითხველი.

29	სალომე ომიაძე	აკაკი წერეთელი მოსაფრთხილებელი ლექსიკისა და უმართებულო ფორმების	23.06.2015, თსუ

		შესახებ	

მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე

აკაკი წერეთელი მოსაფრთხილებელი ლექსიკისა და უმართებულო ფორმების შესახებ

მოხსენებაში ვრცლად იყო განხილული შემდეგი საკითხები:
• აკაკის მიერ დასახული გზები სალიტერატურო ენის შესათვისებლად;
• აკაკის გრამატიკული ანალიზის ცდები და ეტიმოლოგიური ძიებები;
• აკაკის მოსაზრებები თარგმანის ენასთან დაკავშირებით;
• აკაკის შეხედულებები მოსაფრთხილებელ ლექსიკასა და ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე;
ვარლამ თოფურია აკაკის წერეთლის, როგორც ქართული სალიტერატურო ენის ერთ-ერთი
დამამკვიდრებლის, რეფორმატორული ღვაწლის შესახებ.

30	**სალომე ომიაძე**	გრამატიკალიზაციის თანმხლები სემანტიკური და მორფოსინტაქსური ცვლილებები	24 ივნისი, თსუ

მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე

გრამატიკალიზაციის თანმხლები სემანტიკური და მორფოსინტაქსური ცვლილებები

მოხსენებაში ვრცლად იყო განხილული შემდეგი საკითხები:
ტერმინი „გრამატიკალიზაცია და „გრამატიკალიზაციის“ დეფინიციათა ანალიზი;
გრამატიკალიზაცია, როგორც სემანტიკური პროცესი, როგორც მნიშვნელობის გენერალიზაცია;
გრამატიკალიზაცია – კონტექსტთა გაფართოების, სინქრონიული პოლისემიის წყარო;
ენობრივ ერთეულთა მორფოსინტაქსური სტატუსის ცვლილება გრამატიკალიზაციის პროცესში;
გრამატიკალიზაციის პოტენციის მქონე ენობრივი ერთეულები;
გრამატიკალიზაციის კონკრეტული მაგალითები თანამედროვე ქართულში;
გრამატიკალიზაციასთან დაკავშირებული გრამატიკულ-პუნქტუაციური შეცდომები თანამედროვე მედიადისკურსში.

31	**სალომე ომიაძე**	ორმაგი კოდირების შემთხვევების შესახებ დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოებში	27 თებერვალი, თსუ

მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე

ორმაგი კოდირების შემთხვევების შესახებ დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოებში

მოხსენებაში ვრცლად იქნა განხილული შემდეგი საკითხები:

- ორმაგი კოდირების, სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით ხმარების, შემთხვევები, როგორც წარუმატებელი კომუნიკაციის შესაძლო მიზეზი;
- ბრჭყალები როგორც კოდის შეცვლის მოსწავლეთათვის უცნობი ხერხი;
- ბრჭყალების უმართებულო ხმარების შემთხვევები დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოებში.

32	**სალომე ომიაძე**	ძირი – გრამატიკულად დაუშლელი ლექსიკური აბსტრაქცია	6. ნოემბერი, თბილისი, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი

მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე

ძირი – გრამატიკულად დაუშლელი ლექსიკური აბსტრაქცია

მოხსენებაში ვრცლად იქნა განხილული შემდეგი საკითხები:

- ძირი – სიტყვის თავის თავთან იგივეობის იდეის, მისი საგნობრივი მნიშვნელობის გამომხატველი ერთეული;
- ძირი – ფუძის შემქმნელი ელემენტი;
- ძირი – ლექსემის კორელატი;
- ძირი – მორფოლოგიურ პარადიგმათა საფუძველი;
- ძირი – სიტყვაწარმოებითი ბუდეების საყრდენი;
- ძირი – რეკონსტრუქციით არქეტიპთა დადგენის საშუალება;
- ძირი – ეტიმონი;
- ძირი – მუდმივი შესწავლის საგანი ქართულ ენათმეცნიერებაში.

33	**სალომე ომიაძე**	ქართველური ლინგვოკულტუროლოგიის ამოცანები	12 ნოემბერი, თსუ

მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე

1. ქართველური ლინგვოკულტუროლოგიის ამოცანები

ქართველური ენები, რომელთა ისტორიის, სტრუქტურისა და სემანტიკის საკითხებს მრავალი ნაშრომი ეძღვნება, თითქმის შეუსწავლელია ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით. ლინგვოკულტუროლოგია ეროვნული ხასიათის შემსწავლელი მეთოდოლოგიაა, რომლის გარეშეც მრავალი ენობრივი ფაქტის სრულყოფილი აღწერა შეუძლებელია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მონათესავე ენების დისკურსთა ანალიზი, სამყაროს კონცეპტუალიზაციისა და კატეგორიზაციის ენობრივ მექანიზმთა გამოვლენა, რათა კვლევის შედეგების შედარებით დადგინდეს ის მსგავსება-განსხვავებანი, რომლებზე დაყრდნობითაც უნდა განისაზღვროს საერთო-ქართველური ლინგვოკულტურული სივრცე და აღიწეროს საერთო-ქართველური კონცეპტოსფერო, როგორც ქართული იდენტობის ქვაკუთხედი.

მოხსენებაში ვრცლად იქნა განხილული აღნიშნული მიზნის მისაღწევად განსახორციელებელი ამოცანები.

34	**სალომე ომიაძე**	სტრატეგიულ-ენობრივი შეცდომები დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოებში	16 ნოემბერი თბილისი, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი

მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე

სტრატეგიულ-ენობრივი შეცდომები დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოებში

მოხსენებაში შეჯამებულ იქნა პირველი, მეორე და მესამე კლასის ქართულის, მათემატიკისა და ბუნების სახელმძღვანელოთა ანალიზი, რამაც ცხადყო, რომ ენობრივ შეცდომებთან და სტილურ ხარვეზებთან ერთად განხილვის საგნად უნდა იქცეს ის სტრატეგიული შეცდომები თუ დაუგეგმავი ქმედებები, რომლებიც არა

მხოლოდ კონკრეტული საგნობრივი ცოდნის დაუფლებას აძნელებს, არამედ მოსწავლეს არასათანადო დამოკიდებულებას უყალიბებს სახელმძღვანელოსა და ზოგადად სწავლა-სწავლების პროცესის მიმართ. გაგება-გაგებინება, როგორც სწავლების მთავარი პრობლემა, დიდაქტიკური დისკურსის სტრუქტურულ-შინაარსობრივ გამჭვირვალობასა და გამართულობაზეა დამოკიდებული. ამ პირობას კი განსაკუთრებით უნდა აკმაყოფილებდეს დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოთა სწავლების ენა.			
35	**სალომე ომიაძე**	მოქმედებითი ბრუნვის სემანტიკურ-პრაგმატიკული თავისებურებანი თანამედროვე ქართულში	23 დეკემბერი, თბილისი, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი
	მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე **მოქმედებითი ბრუნვის სემანტიკურ-პრაგმატიკული თავისებურებანი თანამედროვე ქართულში** მოხსენებაში ვრცლად იქნება განხილული შემდეგი საკითხები: • მოქმედებითი – უძველესი ფორმაციის ბრუნვა; • მოქმედებითი – მრავალმნიშვნელობიანი (არასპეციფიკური) ბრუნვა; • ეძებნება თუ არა ინვარიანტი მოქმედებითი ბრუნვის ფორმით გამოხატულ სხვადასხვა მნიშვნელობას; • მოქმედებითი თუ „ჭურვილობითი“ (/„საჭურვლობითი“); • თანდებულიანი მოქმედებითი თუ გამოსვლითი; • მოქმედებითი ბრუნვის ძირითადი მნიშვნელობები და მათი სემანტიკური ელფერები; • მოქმედებითს ბრუნვაში მდგომი სახელისა და მისი ალტერნანტების პრაგმატიკული მნიშვნელობა; • თანდებულიანი მოქმედებითის უმართებულო ხმარების შემთხვევები თანამედროვე ქართულში.		
№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
36	**ნინო შარაშენიძე**	ევიდენციალობის (უნახაობის) კატეგორია ქართული ენის დასავლურ დიალექტებში: ნა- პრეფიქსიანი ფორმების ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზისათვის, ენათმეცნიერების საკითხები	ესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო კონფერენცია, ბათუმი, 23-24 ოქტომბერი
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე ევიდენციალობის კატეგორია უნივერსალური კატეგორიათა რიგს განეკუთვნება და იგი ყველა ენაში გამოიხატება. მისი გადმოცემა სხვადასხვა ენობრივი ფორმით ხდება: იგი შეიძლება ვლინდებოდეს დისკურსული ანალიზის შედეგად, შეიძლება გადმოცემული იყოს სინტაქსური, ლექსიკური ან მორფოლოგიური საშუალებებით. ევიდენციალობა ფართო გაგებით არის ტექსტში გადმოცემული ინფორმაციისა და ინფორმატორის / მოლაპარაკეს შორის არსებული მიმართების გამოხატვა - რა გზით იქნა მიღებული ინფორმაცია, პირდაპირი აღქმის			

შედეგია თუ მოსმენილი ან გაგებული სხვა წყაროდან, ჭეშმარიტებას მოიცავს იგი თუ სავარაუდო ან მოსალოდნელია მოლაპარაკისათვის.

უნახაობა სამივე ქართველურ ენაში დასტურდება, თუმცა იგი მორფოლოგიურ კატეგორიად არ მიიჩნევა.

ევიდენციალობის, უნახაობის კატეგორიის გამოხატვის თვალსაზრისით ქართული ენის დიალექტებში სხვადასხვაგვარი ვითარებაა. აღმოსავლური დიალექტები ძირითადად ძველ ვითარებას ასახავენ - თურმეობითის მწკრივები უფრო შედეგობითობას, რეზულტატიურობას გამოხატავენ, თუმცა ნარატიულ ტექსტებში I თურმეობითის ფორმების თანმიმდევრობითი ხმარება განაპირობებს პერფექტის რეზულტატიური მნიშვნელობის რღვევას და უნახაობითი, თურმეობითი მნიშვნელობის ჩასახვას.

განსხვავებული ვითარებაა დასავლურ დიალექტებში. უნახაობის კატეგორიის გამოხატვა სრულიად ბუნებრივია მესამე სერიის ფორმებისათვის. გარდა ამისა, რამდენიმე დიალექტში არსებობს სპეციალური ფორმები ირიბი ევიდენციალობის გადმოსაცემად. მიჩნეულია, რომ ეს ფორმები მეგრულის გავლენის შედეგად ჩამოყალიბებული. ესაა **ნა-**პრეფიქსიანი წარმოება, რომლებიც სახელდებულია მეოთხე სერიის ფორმებად.

ნა- პრეფიქსიანი ფორმები ქართული ენის ოთხ დიალექტში დასტურდება: ქვემოიმერულში, გურულში, ლეჩხუმურსა და რაჭულში.**-ნა** პრეფიქსიანი ფორმების სემანტიკურმა ანალიზმა რამდენიმე ჯგუფის გამოყოფის შესაძლებლობა შექმნა. ეს ფორმები ირიბი ევიდენციალობისაა და გარკვეული სემანტიკური ნიშნით ხასიათდება. ნაშრომში განხილულია **ნა-** პრეფიქსიანი ფორმებით შექმნილი კონსტრუქციის ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი: ადმირატიულობა - ანუ მოულოდნელი შედეგი, ინფერენცია - ანუ ლოგიკური დასკვნა, ხმებზე დამყარებული ინფორმაცია, მკვეთრი ირონია.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
37	**ქეთევან მარგიანი-სუბარი**	პარონომაზიის სპეციფიკა სვანურ ენაში	XXXV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური კონფერენცია, 23-24 ოქტომბერი, ბათუმი

მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე

პარონომაზიის სპეციფიკა სვანურ ენაში

ნაშრომში აღწერილია პარონომაზიის გამოხატვის საშუალებები სვანურში. ნათქვამია, რომ, ქართულისგან განსხვავებით, ამ ენაში პარონომაზიას ძირითადი ზმნის არამარტო მოქმედებითი ბრუნვა განაპირობებს (“წასვლით წავა...”), არამედ ვითარებითი და თანდებულიანი ნათესაობითიც. ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ პარონომაზია ენაში ყველაზე ხშირად ჟი, ჩუ, სგა, ქა ელემენტების დამოუკიდებლად გამოყენება განაპირობებს: ჟი ჟ’აჩად = “ასვლით ავიდა”...; გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჟი, ჩუ, სგა, ქა ელემენტების ეს და სხვა (ნაშრომში განხილული) ფუნქციები) ადასტურებს ისტორიულად აღნიშნული მონაცემების დამოუკიდებლობას.

38	**ქეთევან მარგიანი-სუბარი**	პროექტის “ზემოსვანური (ენგურისა და კოდორის ხეობათა) ტექსტების მორფონოლოგიური სეგმენტაცია (გამოკვლევა და სიმფონია-ლექსიკონი ქართულ-ინგლისური ვერსიითურთ)” ძირითადი ასპექტები	არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 74-ე სამეცნიერო სესია, 22-24 დეკემბერი, თბილისი

მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე **პროექტის "ზემოსვანური (ენგურისა და კოდორის ხეობათა) ტექსტების მორფონოლოგიური სეგმენტაცია (გამოკვლევა და სიმფონია-ლექსიკონი ქართულ-ინგლისური ვერსიითურთ)" ძირითადი ასპექტები** ნაშრომში საუბარია ზემოსვანური მორფემული ლექსიკონის შექმნის პროცესში წამოჭრილ პრობლემებზე, მათი გადაჭრის გზებსა და მიღწეულ შედეგებზე. ასევე, მის მნიშვნელობაზე პერსპექტივაში ანოტირებული ლექსიკონის შესაქმნელად.			
39	**ქეთევან მარგიანი-სუბარი**	ზემოსვანური მორფემული ლექსიკონის შესახებ	არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, პროექტის პრეზენტაცია, 27 ნოემბერი, თბილისი
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე **ზემოსვანური მორფემული ლექსიკონის შესახებ** ნაშრომში საუბარია ზემოსვანური მორფემული ლექსიკონის შექმნის პროცესში წამოჭრილ პრობლემებზე, მათი გადაჭრის გზებსა და მიღწეულ შედეგებზე. ასევე, მის მნიშვნელობაზე პერსპექტივაში ანოტირებული ლექსიკონის შესაქმნელად.			
40	**ქეთევან მარგიანი-სუბარი**	**შიდ**'ფუძიანი ზმნები სვანურ ენაში	ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა IV საერთაშორისო სიმპოზიუმი, 5-7 ნოემბერი, თბილისი
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე **შიდ**'ფუძიანი ზმნები სვანურ ენაში ნაშრომში განხილულია შიდ'ფუძიანი ომონიმური ზმნები; თითოეული მათგანი წარმოდგენილია უღლების პარადიგმის ფარგლებში და დახასიათებულია სემანტიკურად ილუსტრაციების გამოყენებით; გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ ზმნათა მატერიალური იდენტურობა შემთხვევითი არ უნდა იყოს და ის ვითარება, რომ დღეს ეს ზმნები ომონომურია, მეორეული მოვლენაა და მათ აქვთ სემანტიკურად გადამკვეთი წერტილი საკრალურობის სახით.			

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**დარეჯან თვალთვაძე**	Из истории древнегрузинской переводческой традиции: принципы и методы выбора оригинала	V Международная научная конференция «ЯЗЫК И МЕЖКУЛЬТУРНЫЕ КОММУНИКАЦИИ», Минск – Вильнюс, 19 – 23 мая 2015 г
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე			

Из истории древнегрузинской переводческой традиции: принципы и методы выбора оригинала

ძველი ქართული მთარგმნელობითი ტრადიციის ისტორიიდან: დედნის შერჩევის პრინციპები და მეთოდები

ქართულ მთარგმნელობითი ტრადიციის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში განსაკუთრებული ეტაპი იწყება XI საუკუნიდან, როცა ასპარეზზე გამოდიან ელინოფილური მთარგმნელობითი სკოლის წარმომადგენლები, რომლის ერთ-ერთ გამორჩეული წარმომადგენელი იყოს შავი მთის (ანტიოქიის რეგიონი) სამონასტრო ცენტრში მოიღვაწე ქართველი მთარგმნელი და მეცნიერი ეფრემ მცირე. მან ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში ახალი მიდგომები და პრინციპები დაამკვიდრა, რაც დედნის ზედმიწევნითი სიზუსტით თარგმნას გულისხმობდა.

ეფრემის კონცეფციის მიხედვით, თხზულების თარგმნა "სანდო და უეჭვი" დედნის მოპოვებით იწყება. ასეთი კი, პირველ რიგში, შეიძლება იყოს მხოლოდ ორიგინალი და არა თუნდაც უზადოდ შესრულებული სხვაენოვანი თარგმანი. თხზულება უნდა ითარგმნოს იმ ენიდან, რომელზედაც ის დაიწერა.

იმდროინდელ მთარგმნელთა ლიტერატურული ეტიკეტი მთარგმნელს აიძულებდა დედნის შერჩევის დროს გაეთვალისწინებინა, ხომ არ იყო მის მიერ სათარგმნად შერჩეული თხზულება უკვე თარგმნილი ქართულად. წიგნის მეორედ თარგმნის ყოველ კონკრეტულ ფაქტს დამაჯერებელი დასაბუთება სჭირდებოდა, რომ ეს კადნიერებად და „თავისა უკეთ გამოჩინების" სურვილად არ ყოფილიყო შერაცხილი.

უკვე თარგმნილი თხზულების ხელახლა თარგმნა მხოლოდ მაშინ მიიჩნეოდა დასაშვებად, როცა თარგმანი შესრულებული იყო არა იმ ენიდან, რომელზედაც შეიქმნა თხზულება, ან როცა დედანი წინა მთარგმნელის მიერ ადაპტირებულად იყო თარგმნილი - შემოკლებული იყო ან განვრცობილი, რის გამოც თარგმანს დედნისეული სიღრმე და სიცხადე შეეძლო დაეკარგა.

მეთერთმეტე საუკუნის ბოლოს და მეთორმეტე საუკუნის დასწყისში მოღვაწე ქართველ მთარგმნელთა მიდგომა და დამოკიდებულება დედნის შერჩევის საკითხისადმი დღესაც აქტუალურია. ეფრემ მცირის ცნობილი ფრაზის განზოგადებას თუ მოვახდენთ, რომელშიც ის ყველაფრის ბერძნულიდან თარგმანს და ამავე დროს ზუსტად თარგმნას მოითხოვს („ ყოველივე ბერძნულისაგან და ვითარ იგი ბერძნულად არს"), ასეთ ფორმულირებას მივიღებთ: „ყოველივე ორიგინალიდან და ყველაფერი ისე, როგორც ორიგინალშია", რაც მთარგმნელობითი საქმიანობის ქვაკუთხედია დღესაც: თარგმანი უნდა შესრულდეს იმ ენიდან, რომელზედაც ის დაიწერა და უნდა შესრულდეს ისე, რომ მან იგივე აზრი და ემოცია გადმოსცეს, რაც ორიგინალმა.

2	დავით გოცირიძე, ნანა გაფრინდაშვილი, **დარეჯან თვალთვაძე**	Человек как объект лингвокультурологического описания (соавторы	XIII Конгресс Международной ассоциации преподавателей русского языка и литературы Русский язык и литература в пространстве мировой культуры, 13-20 сентября Гранада (Испания)

მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე

Человек как объект лингвокультурологического описания

ადამიანი, როგორც ლინგვოკულტურული ასახვის ობიექტი

მოხსენებაში დასმულია ადამიანის, როგორც ლინგვოკულტურული ასახვის ობიექტის, პრობლემა და ნაჩვენებია ის თავისებურებები და სპეციფიკური ნიშნები, რომლებიც კონკრეტული სოციო-კულტურული გარემოს თავისებურებებიდან გამომდინარე განაპირობებს ადამიანის ლინგვიკულტურულ მახასიათებლებს.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

3	**ზექალაშვილი რუსუდან**	ინვერსიის ერთი შემთხვევისათვის ქართულ ენაში (Об одном особом случае инверсии глагола в грузинском языке): მოსკოვის VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "ენა, კულტურა და საზოგადოება" (დაუსწრებელი მონაწილე)	14-16 ოქტომბერი, მოსკოვი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემია, მოსკოვის უცხო ენათა ინსტიტუტი

მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე

ინვერსიის ერთი შემთხვევისათვის ქართულ ენაში

ნაშრომში გაანალიზებულია ქართული ენის ერთ-ერთი სადავო და რთული საკითხის – პირის ნიშანთა ინვერსიის – აქამდე შეუსწავლელი ერთი ასპექტი და მოცემულია ცდა, აიხსნას ინვერსიის გამოვლენის სპეციფიკა სურვილის ან ნატვრის გამოხატვის დროს. განსაკუთრებით გამოყოფილია ზმნის დროისა და სუბიექტური პირის ტრანსსემანტიზაცია, რაც იწვევს გრამატიკულ და რეალურ სუბიექტთა დაცილებას და საბოლოოდ გრამატიკული სუბიექტის გაქრობას.

შესწავლილია ზმნის აგებულებასა და სემანტიკაში შემჩნეული რამდენიმე ცვლილება სურვილის გამოხატვის დროს: პირის ნიშანთა ფუნქციების ცვლა აორისტში და ინვერსია, ზმნის პირიანობის ცვლილება – ფორმით მოსალოდნელი ერთი პირის დაკლება; სუბიექტური პირის ფარდი სახელის დაკარგვა, როცა ნიშანი რჩება. ნატვრის ან სურვილის გამომთქმელი სუბიექტი გრამატიკულად ობიექტია.

საბოლოოდ ჩამოთვლილია ქართულ ენაში ამ ტიპის წინადადებაში გამოვლენილი რამდენიმე საშუალება: პირის ნიშანთა ინვერსია, გრამატიკული სუბიექტის დაკარგვა, დროის ტრანსსემანტიზაცია და შინაარსდაცლილი კაუზატიური ფორმები.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
4	**Maia Lomia** (თანავტორები: Z. Furcxva-nidze, R. Gersamia)	Multiple Focus and Sluicing in Spoken Georgian and Megrelian	02-03-04 დეკემბერი, ენების სწავლების აღმო-სავლეთმცოდნეობის ინს-ტიტუტი (Inalko) პარიზი, საფრანგეთი

მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე

მოხსენებაში განხილულია ზმნური ელიფსისის ერთი ტიპური შემთხვევა ქართულსა და მეგრულში. ინფორმაციის სტრუქტურირების თვალსაზრისით ნაჩვენებია სის-ტემური მსგავსება-განსხვავებანი, მოძიებულია ტიპოლოგიური მსგავსების მაგალ-ითები აღმოსავლურ ენებში.

5	**მაია ლომია** (თანააავტორი რ. გერსამია)	ინტერფიქსური რედუპლი-კაცია ქართველურ ენებში	01 დეკემბერი, ფრანკფურტის ლინგვის-ტური წრის სხდომა, გოე-თეს უნივერსიტეტი; ფრანკფურტი, გერმანია

მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე

მოხსენებაში საუბარია ინტერფიქსური რედუპლიკაციის მოდელებზე ქართული და სვანური ენების მასალის მიხედვით, რადგან მაერთხმოვნიანი მოდელები ქართველურ ენათაგან მხოლოდ ქართულსა და სვანურში დასტურდება. მაერთი ხმოვნები ანუ ინფიქსები ფუნქციურად მაერთებელი „და" კავშირის ფუნქციისაა და იდენტური სემანტიკის ორი გაუფორმებელი ანუ „შიშველი" ფონოსემანტიკური

ფუძის/ძირის შესაერთებლად გამოიყენება.

6	**Maia Lomia** (თანავტორები: Z. Kikvidze, R. Gersamia)	Onomatope-based Reduplikation and Grammaticalization/Phonotactics Interface in kartvelian languages	26-27 ნოემბერი, ვენის უნივერსიტეტი, ვენა, ავსტრია

მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე

მოხსენებაში წარმოდგენილია ხმაბაძვით ერთეულზე დაფუძნებული რედუპლიკაციის ყალიბები ქართველურ ენათა მასალაზე, რომლებიც წარმოგვიდგენენ გრამატიკალიზაცია/ფონოტაქტიკის ინტერფეისის ზოგად პარამეტრებს. განხილულია ამგვარ ყალიბთა მდგრადობის საკითხი ქართულის, სვანურის, ლაზურისა და მეგრულის მრავალრიცხოვან დიალექტებში.

7	**Maia Lomia** (თანავტორები: Z. Kikvidze, R. Gersamia)	Phonosemantic Reduplication in Kartvelian (South Caucasian) Languages	22-23 ოქტომბერი, იოანე პავლე II-ს სახელობის კათოლიკური უნივერსიტეტი ლუბლინი, პოლონეთი

მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე

მოხსენებაში წარმოდგენილია ფონოსემანტიკური რედუპლიკაციის ყალიბები ქართველურ (სამხრეთ კავკასიურ ენებში). გაკეთებულია დასკვნა: სტრუქტურული და ფუნქციური მახასიათებლების გათვალისწინებით, ფონოსემანტიკური რედუპლიკაცია ქართველურ ენებში მორფონოლოგიური მოვლენაა.

8	**მაია ლომია** (თანაავტ. რ. გერსამია)	Синтаксические структуры в переводе: материал картвельских языков	17-18 აპრილი, ნაციონალური საავიაციო უნივერსიტეტი კიევი, უკრაინა

მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე

სტატიაში ქართველური ენების მასალის მიხედვით განხილულია სამი ტიპის სინტაქსური სტრუქტურა და მათი აზრობრივი გადმოცემის თავისებურებანი ზედმიწევნითი (სიტყვასიტყვითი) თარგმანის დროს; საუბარია საერთაშორისო სტანდარტით ლინგვისტური ანოტაციის მიხედვით პრობლემის მოგვარების მეთოდოლოგიაზე.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
9	**ინგა სანიკიძე**	რუსულენოვანი ლექსიკა თანამედროვე ქართულ ენაში	XIII საერთაშორისო კონგრესი: „რუსული ენა და ლიტერატურა მსოფლიო კულტურულ სივრცეში“; 13-20 სექტემბერი, ქ. გრანადა, ესპანეთი.

მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე

რუსულენოვანი ლექსიკა თანამედროვე ქართულ ენაში

(ანოტაცია)

ლექსიკოლოგიური კვლევები არსებითად სიტყვის სემანტიკის, აღსანიშნი ფორმის დისტრიბუციისაკენ არის მიმართული და საგნობრივ მიმართებებს სწავლობს, რადგან სწორედ აქ, ამ რგოლში მოჩანს ყველაზე უკეთ კონკრეტული ენობრივი კოლექტივის დამოკიდებულება საერთო ლექსიკური ფონდის მიმართ. აქვე იკვეთება ის ლექსიკური პლასტები, რომლებსაც სიტყვათა სესხების შედეგად ვიღებთ და

რომლებიც უცილობლად ასახავენ ენის განვითარების მნიშვნელოვან ისტორიულ ეპოქებს. ნებისმიერი საზოგადოების წინსვლა წარმოუდგენელია სხვა საზოგადოებებთან კონტაქტის გარეშე, ამიტომ ქართული ენის მდინარების ხანგრძლივ გზაზეც იკვეთება სიტყვათა შეთვისების ტენდენციები, რომლებიც სხვადასხვა ინტენსივობით ხორციელდება. ნათელია, რომ ტიპოლოგიურად განსხვავებული ქართული და რუსული ენების თანაცხოვრება ამ თვალსაზრისით გამონაკლისი არ შეიძლება ყოფილიყო. ორ საუკუნეზე მეტი ქართული ენა რუსული ენის უდიდეს ზეგავლენას განიცდიდა, ამიტომ თანამედროვე ქართულ ენაში რუსული ენიდან შეთვისებული ლექსიკური მასალა ერთ მნიშვნელოვან ჯგუფს ქმნის.

კვლევის ერთი ნაწილი უძველეს ინდოევროპულ ნასესხობებს დაეთმო, რომელნიც ქართულ და, ლოგიკურია, სლავურ ენათა ჯგუფშიც თანაარსებობს. ესენია: გორა[აკ]ი, დირე, და, ჩვენი აზრით, „რიჟ“ ფუძეც (რიჟუ-რაჟუ ძვ. ქართ.).

ფაქტია, რომ XIX ს-ში რუსულმა ენამ გზა გადაუჭრა არაბულ-სპარსულ-თურქული ენებიდან შემომავალ ლექსიკურ ნაკადებს და მთელი სარბიელი მან დაიკავა. რა თქმა უნდა, ყველა ნასესხებ ლექსიკურ ერთეულს სალიტერატურო ენაში დამკვიდრების ერთნაირი პერსპექტივა არა აქვს, მაგრამ თანამედროვე სამეტყველო ენაში, სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში, ისინი ხშირად უალტერნატივო ერთეულებს წარმოადგენენ, მიუხედავად არაერთი მცდელობისა, რომ დაეძებნათ მათთვის შესაბამისი ქართული შესატყვისები, თუნდაც ენობრივი კალკების შექმნის ხარჯზე.

რუსული ლექსიკის ერთმა ნაწილმა გზა გაიკაფა მწიგნობრულ ენაში; ესენია: ფუთი, ვერსი, კაპიკი, სამოვარი, ყარაული, ზმნა: კატაობს და სხვ. თუმცა მათი კიდევ უფრო დიდი ჯგუფი ბარბარიზმების სახით არის დალექილი და სხვადასხვა დიალექტურ წრეში ცოცხლობს. (მაგ., სტოლი [**სტოლ**საფარი], კრუშკა, აკოშკა [კარ-**აკოშკა**], პოლი [**პოლის**ჯოხი], არკა, ტორმუზი და მისთ. ...). რუსული ენიდან ნასესხები ლექსიკის უდიდესი ნაწილი ზეპირი გზით არის შემოსული, ამიტომ ისინი ხშირად ქართული ფონემატური სტრუქტურის, ქართული ბგერების აკუსტიკურ ელფერს ატარებენ, თუმცა მათი რუსული წარმომავლობა გამჭვირვალედ მოჩანს და ქართული და რუსული ენების არაერთსაუკუნოვან თანაცხოვრებას ასახავს.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	„ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური ლექსიკონი“, ქართველური ენები, ქართველური ლექსიკოლოგია, ქართველური ლექსიკოგრაფია	**რამაზ ქურდაძე**	**რამაზ ქურდაძე, დალი შონია,** ლილე თანდილავა, ლელა ნიჟარაძე, თამარ გელაშვილი, **მაია ლომია,** ომარ მემიშიში, **ქეთევან მარგიანი-სუბარი,** ზურაბ ჭუმბუ-	სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისი

			რიძე, ირინა გვე-ლესიანი	

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

ქართველური ენების შესწავლას დიდი ყურადღება ექცევა საქართველოს სამეცნიერო ცენტრებში და, უპირველეს ყოვლისა, პირველ ქართულ უნივერსიტეტში. ქართველური ენების ისტორიულ-შედარებითი კვლევა-ძიება გულისხმობს ამ ენათა ფონეტიკა-ფონოლოგიისა და გრამატიკის საკითხების ანალიზს. მათ შორის ლექსიკას, როგორც აღინიშნა, ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უჭირავს. ლექსიკის სფეროს ამგვარი კვლევის მოკრძალებული ნიმუშია აღნიშნული ლექსიკონი. ხუთენოვანი – ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური ლექსიკონის გამოცემა უმთავრესად ორი თვალსაზრისით არის აქტუალური: ერთი, ის წარმოაჩენს ქართველური ტომების ენობრივი ერთიანობა-სიახლოვის სურათს, მეორე მხრივ, აქ ჩანს არამონათესავე ენების (კერძოდ, რუსულის, ბერძნულისა და თურქულის) გავლენის კვალი. ორივე ფენომენი საინტერესო მასალას იძლევა შემდგომი კვლევა-ძიებისთვის. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა წარმოაჩენს სამხრეთკავკასიური მონათესავე ენების: ქართულის, მეგრულის, ლაზურისა და სვანურის თანამედროვე ენობრივ მდგომარეობას, კერძოდ, ლექსიკურ ვითარებას. ფაქტობრივად, ეს კიდევ ერთი საინტერესო გზაა უმწერლობო ქართველური ენების ლექსიკის არა მარტო შესწავლის, არამედ მოხმარების გააქტიურებისათვისაც, რაც გარკვეულ შემთხვევებში თავიდან აგვაცილებს ამა თუ იმ ძირძველი ქართველური ლექსემისდავიწყებასა და გაუჩინარებას.

წინამდებარე ნაშრომი საინტერესოა იმ მხრივაც, რომ ეს არის პირველი შემთხვევა ერთდროულად ყველა ქართველური ენის ლექსიკის წარმოდგენისა ინგლისური თარგმანით. ქართველურ ენათაგან ამოსავალია ქართული ენის მონაცემები, შემდეგ მოცემულია სხვა ქართველური ენების შესაბამისი ნიმუშები და ბოლოს ინგლისური შესატყვისი. ამ კუთხით ლექსიკონმა შეიძლება რამდენადმე მომხმარებელთა ფართო წრის ინტერესი დააკმაყოფილოს როგორც ჩვენში, ასევე უცხოეთშიც.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
2	„კითხვა უკეთესი მომავლისათვის“, პედაგოგიკა, ყრუთა განათლება	მ. ბიბილეიშვილი – ააიპ „ბავშვი, ოჯახი, საზოგადოების“ ხელმძღვანელი	**ს. ომიაძე** – ექსპერტ-ლინგვისტი, თ. ჯაყელი – მეთოდისტ-კოორდინატორი	USAID – ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო
	დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე) **„კითხვა უკეთესი მომავლისათვის“** პროექტის ფარგლებში შეიქმნა და დაიბეჭდა საგანმანათლებლო რესურსების სამსერიიანი ნაკრები 3-5 წლის სმენის პრობლემის მქონე ბავშვებისა და მათთან მომუშავე სპეციალისტებისათვის: ყოველი სერია აერთიანებს ერთი ასაკობრივი ჯგუფისთვის განკუთვნილ საგანგებოდ შექმნილ რვა მოთხრობას, რომელთაგან			

	თითოეული ცალკე წიგნადაა დაბეჭდილი. ყოველი მოთხრობის ტექსტს მოსდევს რუბრიკა „მოდი გავიმეოროთ!“, რომელიც ემსახურება ახალი მასალის გაგების შემოწმება-განმტკიცებას. სახელმძღვანელოებში წარმოდგენილია ზოგადი მეთოდოლოგიური რეკომენდაციები, ტიპობრივ აქტივობათა და თამაშთა აღწერა, რვავე ტექსტი და თითოეულში ჩადებული დიდაქტიკური და კოგნიტიურ-ენობრივი ინფორმაციის დეტალური აღწერა. ყოველი მოთხრობით მიწოდებული მასალის გააქტიურებას ეძღვნება იმავე სახელწოდების მოდული, რომელიც ასევე ცალკეა დაბეჭდილი (პოლიგრაფიულად გამოცემული მასალის საერთო რაოდენობა: 24 მოთხრობა, 24 მოდული, 3 სახელმძღვანელო და პირველი სერიის 8 მოთხრობა უსინათლოთათვის ბრაილის შრიფტით).			
3	„ერთად 21-ე საუკუნეში“, პედაგოგიკა, ყრუთა განათლება	გ. ბიბილეიშვილი – ააიპ სტუდია „ეი-დი-სის“ დირექტორი	**სალომე ომიაძე** – ექსპერტ-ლინგვისტი	USAID – ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე) **ერთად 21-ე საუკუნეში“** ყრუ და სმენადაქვეითებული მოზარდების კითხვის უნარების განსავითარებლად, პირველი-მესამე კლასის სამი საგნის (ქართულის, მათემატიკის, ბუნების) სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით, შეიქმნა სიტყვათა ბანკი, რომელსაც დაემყარება ელექტრონული ჟესტური ლექსიკონი.				
№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
4	ქართული ენის ეროვნული კორპუსი, ჯგუფის ხელმძღვანელი) (2012-2015)	იოსტ გიპერტი, მანანა თანდაშვილი	მანანა თანდაშვილი **ნინო შარაშენიძე**	**ფოლკსვაგენის ფონდი, ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტი.**

IV. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	თსუ ახალგაზრდული ცენტრი - სტუდენტთა აკადემიური დახმარება სახელმწიფო ენის დაუფლების მიმართულებით,	**კახა გაბუნია**	თსუ სტუდენტები	საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) „ტოლერანტობის, ცნობიერებისა და ინტეგრაციის გაძლიერების“ (PITA) პროგრამის (ხორციელდება

				ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით)
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე) ახალგაზრდული ცენტრი ხელს შეუწყობს არაქართულენოვან სტუდენტებს სამოქალაქო ინტეგრაციისა და სახელმწიფო ენის სათანადო დონეზე დაუფლების თვალსაზრისით.				
2	Preservation of Abkhazian Language by Abkhazians and Georgians“ (PALAG) (კორპუსული ლინგვისტიკა)	შალვა ტაბატაძე	**კახა გაბუნია,** ლეილა ავიძბა, ნათია გორგაძე და სხვ.	ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე) ქართველ და აფხაზ მოქალაქეთა ენობრივი და კულტურული დაახლოების ხელშეწყობა; აფხაზური ენის კორპუსის ჩარჩო-ინსტრუმენტის შექმნა.				
3	"მულტიკულტურული განათლების ასახვა მასწავლებელთა განათლების პროგრამებში"	**კახა გაბუნია**	შალვა ტაბატაძე, ნათია გორგაძე, დავით ჩოჩიშვილი, კახა ადეიშვილი	ფონდი ღია საზოგადოება – საქართველო
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე) პროექტი ხორციელდება საქართველოს 3 უნივერსიტეტში მასწავლებელთა განათლების მულტილიკულტურული სამაგისტრო პროგრამების დანერგვის მიზნით.				
4	არაქართულენოვან სტუდენტთა აკადემიური მხარდაჭერა ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ფარგლებში (ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება)	ჭაბუკი ქირია	**კახა გაბუნია,** ნანა სირაძე და სხვ.	ფონდი ღია საზოგადოება – საქართველო
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე) პროექტის ფარგლებში შეიქმნა სახელმძღვანელოები ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების ხელშესაწყობად.				
5	„მასწავლებელთა მრავალენოვანი პროგრამის შემუშავება და დანერგვა უკრაინისა და	დარეჯან თვალთვაძე	**კახა გაბუნია,** შალვა ტაბატაძე, ნინო შარაშენიძე და სხვ.	ევროკავშირი, ტემპუსი.

	საქართველოს უნივერსიტეტებში.“			

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

პროექტი ხორციელდება საქართველოსა და უკრაინის 6 უნივერსიტეტში მასწავლებელთა განათლების მულტილინგვური სამაგისტრო პროგრამის დანერგვის მიზნით.

შიდასაუნივერსიტეტო მიზნობრივი გრანტი

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	**უარყოფის კატეგორია ქართველურ ენებში,ნაწილი I.** (ქართველოლოგია, ლინგვისტიკა; ქართველური ენები) (თსუ-ს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის საგრანტო პროექტი)	**ხელმძღვანელი პროფ. რამაზ ქურდაძე** ***თანახელმძღვანელი*** **ასოც. პროფ. მაია ლომია**	**პროფ. რამაზ ქურდაძე; პროფ. დარეჯან თვალთვალაძე; ასოც. პროფ. მაია ლომია; ასოც. პროფ. ქეთევან მარგიანი; ასოც. პროფ. რუსუდან ზექალაშვილი;** დოქტორანტი მაია მადუაშვილი; მაგისტრანტი ნინო ქებურია; მაგისტრანტი მაგული ღამბაშიძე; ბაკალავრიატის სტუდენტები: ელენე ქადაგიშვილი, გიორგი ჯღარკავა, თამარ ჩანქსელიანი.	თსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

კორპუსულ კვლევაზე დაყრდნობით აღიწერა უარყოფის გამომხატველი ფორმები ძველსა და ახალ ქართულში და სხვა უმწერლობო ქართველურ ენებში. საანალიზო მასალა დალაგდა მორფოლოგიური და აფიქსური წარმოების მიხედვით. **მორფოლოგიურ** ჯგუფში გაერთიანდა უარყოფის ნაცვალსახელები, უარყოფის ზმნისართები და უარყოფის ნაწილაკებთან შეხამებული სხვადასხვა მწკრივის ზმნური ფორმები; **აფიქსური**წარმოების მიხედვით გამოიყო *უქონლობის სახელები (სიტყვაწარმოება)* და *უარყოფისნაწილაკიანი კომპოზიტები.* ქართველური ენების მასალა შეჯერდა და

გამოვლინდა როგორც საერთოქართველური კანონზომიერებანი, ასევე თითოეული ენისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ვითარება. დასრულებული კვლევითი პროექტის სამეცნიერო პროდუქტია შემდეგი დასახელების სტატია: ***უარყოფის კატეგორია ქართველურ ენებში, ნაწილი I: მორფოლოგიური და აფიქსური მოდელები.*** აღნიშნული პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული შედეგები გამოიყენება ზოგადთეორიული და ზოგადტიპოლოგიური თვალსაზრისით, ასევე, დიაქრონიული და სინქრონიული კვლევებისთვის, რადგან მასში გათვალისწინებულია ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისა და ნორმა-სტილის საკითხები.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სლავისტიკის

სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

2015 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში

თბილისი

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება

სლავისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი

პროფესორი დავით გოცირიძე

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა

პროფესორი მარიამ ფილინა

ასოცირებული პროფესორი მარინე ალექსიძე

ასოცირებული პროფესორი ნატალია ბასილაია

ასოცირებული პროფესორი მაია თუხარელი

ემერიტუს-პროფესორი ნათელა ჭოხონელიძე

ემერიტუს-პროფესორი ნოდარ ფორაქიშვილი

I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის
დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

(ეხება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

I. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1				
დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

I. 4.

2	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მარიამ ფილინა, დანუტა ოსოვსკა (ოლშტინის უნივერსიტეტი, პოლონეთი)	პოლონელთა ბედი კავკასიაში. ნაწილი I მეორე, გაფართოებული გამოცემა	თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“	355 გვ.
2				
3				

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. წინამდებარე წიგნი წარმოადგენს 2007 წელს გამოცემული მონოგრაფიის შევსებულ გამოცემას, რომელიც მიეძღვნა კავკასიაში 1830-1840 წლებში პოლონელთა ყველაზე მნიშვნელოვანი ჯგუფის მოღვაწეობასა და შემოქმედებას. ამ ჯგუფის წევრები იყვნენ პოლიტიკური საქმიანობის გამო კავკასიაში გადმოსახლებული ახალგაზრდა მებრძოლები. ნაშრომში ერთ გალერეაშია გაერთიანებული გადმოსახლებული რომანტიკოსების ბიოგრაფიები, ანთოლოგიის სახით ჩართულია „კავკასიელ“ პოეტთა ჯგუფის აქამდე უცნობი ან დავიწყებული ტექსტები, რომლებიც შესწავლილია თანამედროვე ლიტერატურადმცოდნეობის პოზიციიდან. მრავალმხრივი ქართულ-პოლონური ლიტერატურული ურთიერთობების განვითარება იწყება XIX საუკუნის პირველ ნახევარში და წიგნში სწორედ ეს პერიოდია აღწერილი. ამიტომ ნაშრომის პრობლემატიკა ძალზედ აქტუალურია და უაღრესად მნიშვნელოვანია პოლონეთისა და საქართველოს კულტურული კონტაქტების პროცესის კვლევისთვის.

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მ.ალექსიძე, ი.მელქუმოვა	Корректировочный курс русского языка, II	თბილისი: უნივერსალი	
2	მ.ალექსიძე,	240 тестов по	თბილისი:	

	ი.მელქუმოვა	русскому языку	უნივერსალი	
3				

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. სახელმძღვანელოში მოცემული რუსული ენის კურსის მიზანია სწავლების საწყის ეტაპზე მიღებული ცოდნის სისტემატიზაცია და შეძენილი უნარ-ჩვევების კორექტირება. წიგნი შედგენილია იმ სირთულეების გათვალისწინებით, რომელიც ხვდება ქართველ სტუდენტებს რუსული ენის შესწავლისას.

2. წარმოდგენილი დამხმარე სახელმძღვანელო რუსულ ენაში შეიცავს სავარჯიშო და საკონტროლო ტესტებს რუსულ ენაში და განკუთვნილია რუსულის როგორც უცხო ენის შემსწავლეთათვის. ყველა ტესტს ახლავს პასუხები, რაც იძლევა საშუალებას ტესტის შესრულების სისწორის შემოწმებისა.

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მარიამ ფილინა - ტექსტის ავტორი და რედაქტორი	საქართველოს „პოლონია“. 1995-2015	თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“	104 გვ.
2				

ანოტაციები ქართულ ენაზე

1.სამენოვან კრებულში(ქართულ,რუსულ და პოლონურ ენებზე)ასხულია პოლონელთა კულტურულ–საგანმანათლებლო კავშირ „პოლონიას“ შექმნის ისტორია და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და მიღწევები არსებობის 20 წლის მანძილზე (1995–დან 2015 წწ.). მოკლედ განხილულია უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო და კულტურული წამოწყებანი,მათ შორის ქართულ–პოლონურ ურთიერთობისადმი და საქართველოსთან დაკავშირებულ პოლონელ მოღვაწეებისადმი მიძღვნილი 9 საერთაშორისო კონფერენცია,რომელიც თსუ–სთან თანამშრომლობით განხორციელდა .აქვე წარმოდგენილია ინფორმაცია კავშირთან არსებულ პოლონური ენისა და ლიტერატურის კურსების ,პოლონური და ქართული მუსიკის კონცერტების ,პოლონელი მხატვრებისა და ფოტოხელოვნების გამოფენების შესახებ .კრებულში შესულია „პოლონიის“ მესვეურთა მოკლე ბიოგრაფიები,მონაცემები პარტნიორთა და მხარდამჭერთა შესახებ და ინფორმაცია იმ ქართველ და პოლონელ მოღვაწეთა შესახებ,რომლებიც თანამშრომლობენ კავშირთან. მოყვანილია ქართველ და პოლონელ სახელმწიფო მოღვაწეთა შეფასებები და ინფორმაცია მისი ხელმძღვანელის ჯილდოების შესახებ .

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	დ.გოცირიძე	კიევის სასულიერო აკადემია და განათლების რეფორმა საქართველოში	კიევის სასულიერო აკადემია და ქართულ-უკრაინული სამწერლობო კონტაქტები	თბილისი: თსუ, 2015.	თეზისები (სტატია 8 გვ. იბეჭდება)
2	მარიამ ფილინა	ქართულ-პოლონური ლიტერატურული ურთიერთობები - დასაწყისიდან თანამედროვეობამდე. კრებული „ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა“		თბილისი, შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	
3	მარიამ ფილინა	ცისკარი	№ 4	თბილისი, გამომცემლობა „ცისკარი“	10
4	მარიამ ფილინა	Грузия входит в кровь сразу и навсегда…» (Б. Пастернак и Т. Табидзе). Журнал «Русский клуб»	№ 2	თბილისი, გამომცემლობა «Русский клуб»	7
5	მარიამ ფილინა	Диалог «Поверх барьеров». Журнал «Русский клуб»	№ 5	თბილისი, გამომცემლობა «Русский клуб»	6
6	მარიამ ფილინა	Зодчий отвечает за все. Журнал «Русский клуб»	№ 5	თბილისი, გამომცემლობა «Русский клуб»	7
7	მარიამ ფილინა	Уроки традиций. Альманах «На холмах Грузии»	№ 22	თბილისი, გამომცემლობა Ассоциация	10

				русскоязычных журналистов Грузии	
8.	მ. ალექსიძე	**Some aspects of** the advertising text/Homo Loquens	7	თბილისი: უნივერსალი	2

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. **კიევის სასულიერო აკადემია და განათლების რეფორმა საქართველოში**

თანამედროვე მეცნიერების განვითარება ანტროპოცენტრისტულ ფაზაში გადავიდა ,რაც განათლების სფეროსაც შეეხო.ინფორმაციულ საზოგადოებისთვის უაღრესად აქტუალური გახდა ცოდნისა და ზნეობის სიმბიოზის პრობლემა,პრობლემა რომელიც სასულიერო საგანმანათლებლო ცენტრებში განსაკუთრებული სიღრმით იყო დამუშავებული. კიევის სასულიერო აკადემიის საგანმანათლებლო ტრადიცია უაღრესად მნიშვნელოვან ემპირიულ ბაზას წარმოადგენს და მნიშვნელოვანი როლი შეუძლია შეასრულოს ქართული საგანმანათლებლო სისტემის დახვეწაში.

2. მრავალმხრივი ქართულ-პოლონური ლიტერატურული ურთიერთობების განვითარება იწყება XIX საუკუნის პირველ ნახევარში. მტკიცება გეოგრაფიულად ასე დაშორებულ ქვეყნებს შორის ნაყოფიერი კონტაქტების შესახებ არის საყოველთაოდ მიღებული, მაგრამ თვითონ ამ აღმოჩენებისა და განვითარების ტრადიციათა ფენომენი ბოლომდე არ არის შესწავლილი. ქართველი და პოლონელი ხალხის შემოქმედებითი ინტერესების თანხვედრა დრამატიზმით არის აღსავსე. ლიტერატორთა ურთიერთდაინტერესების აღმოცენებისა და განვითარების ყველაზე თვალსაჩინო პერიოდად კი 1830-იან წლებს მიიჩნევენ.

პოლონელთა ყველაზე მნიშვნელოვანი ჯგუფი აქ სწორედ 1830-1840 წლებში იმყოფებოდა. ესენი იყვნენ პოლიტიკური საქმიანობის გამო კავკასიაში გადმოსახლებული ახალგაზრდა მებრძოლები. ადამიანთა ეს არცთუ მრავალრიცხოვანი ჯგუფი გეოგრაფიულად სულ სხვა სივრცესა და ეთნიკურ სამყაროში აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, პოლონელთა „სასარგებლო მოქმედების კოეფიციენტი“ კავკასიაში, განსაკუთრებით კი საქართველოში, ძალიან მაღალია. გადმოსახლებულმა პოლონელებმა დიდი გავლენა მოახდინეს მეცნიერებისა და კულტურის სხვდასხვა დარგებზე. ასე რომ, მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ თუ რას ნიშნავს კავკასია პოლონეთის ისტორიაში; როგორ მოქმედებს იგი პოლონელთა ბედ-იღბალზე და რა როლს ასრულებდნენ პოლონელები კავკასიაში?

სწორედ მათ შექმნეს საქართველოში თავისუფლებისმოყვარე, ამაყი, განათლებული და ნიჭიერი პოლონელის სახე, რომელიც დღესაც არქეტიპად გვევლინება. მეფის ბრძანების თანახმად პოლონელებს კავკასიაში ასახლებდნენ დასჯის მიზნით. შედეგი საპირისპირო გამოდგა – მათ დაამყარეს სულიერი კავშირი ქართულ ინტელიგენციასთან, რამაც აშკარა შემოქმედებითი შედეგები გამოიღო. წინამდებარე წიგნი ლიტერატორ-რომანტიკოსებს ეძღვნება. ჩვენი გმირები – „კავკასიური ჯგუფის“ პოეტები არიან. მათი არსებობის შესახებ ბევრს სმენია, ხოლო მათ ცხოვრებასა და შემოქმედებას ცოტანი იცნობენ.

კავკასიელთა ჯგუფის ლიტერატურას დრამატული ბედი ერგო, მისი შემქმნელები კი, მიუხედავად სულიერი სიმდიდრისა, უმეტესად, ცხოვრებისაგან დათრგუნულები იყვნენ. ისინი გრძნობდნენ, რომ ცხოვრებისეულმა კატასტროფამ მაშინ მოუსწრო, როცა მთავარი საქმე ჯერ კიდევ გასაკეთებელი ჰქონდათ. ამასთანავე, გვაოცებს მათ ინტერესთა მრავალმხრივობა, რაც იმ თაობის დამახასიათებელი ნიშანი იყო. მათ ინტერესთა სფეროს შეადგენს პოეზია, პროზა, თარგმანები, ენების შესწავლა, ეთნოგრაფია, მუსიკა, გეოგრაფია, ბიოლოგია, იშვიათ შემთხვევაში – სამხედრო კარიერა. საკმარისია დავასახელოთ ჯგუფის ცენტრალური პიროვნებები – თადეუშ ლადა-ზაბლოცკი, ვოიცეხ პოტოცკი, ლეონ იანიშევსკი, მათეუშ გრალევსკი, კაზიმეჟ ლაპჩინსკი.

3. სტატია ბორის პასტერნაკის დაბადების 125-ე და ტიციან ტაბიძის 120-ე წლისთავს ეძღვნება. ბ. პასტერნაკის „ქართული ცხოვრება“ ლეგენდად იქცა. მეოცე საუკუნის ერთ--ერთი ყველაზე კაშკაშა ლიტერატურული სამყაროს შემოქმედმა მტკიცედ დაუკავშირა ერთმანეთს ქართული და რუსული კულტურა და სულიერება, სამუდამოდ ჩაწერა საქართველოს ისტორიაში - მან საქართველოს უძღვნა სტრიქონები, რომლებიც მსოფლიო პოეზიის საგანძურშია შესული, ხოლო მისმა თარგმანებმა რუსი ხალხი ქართული ლირიკის თანაზიარად აქცის. სანიმუშოა მისი მეგობრობა ტიციან ტაბიძესთან, პაოლო იაშვილთან, ვალერიან გაფრინდაშვილთან... და შემთხვევითობად აღარც კი გეჩვენება, რომ წელს ერთდროულად აღინიშნება ორი დიდი შემოქმედის საიუბილეო თარიღები. აღწერილია საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ჩატარდა 2015 წლის 5-6 აპრილს მოსკოვში, პერედელკინოში (პასტერნაკის სახლ-მუზეუმში) და სანკტ-პეტერბურგში ანა ახმატოვას მუზეუმში. კონფერენციის ორგანიზატორებმა და მონაწილეებმა ბორის პასტერნაკისა და ტიციან ტაბიძის სამაგალითო მეგობრობის წარმოჩენით შეძლეს, ეჩვენებინათ როგორც კულტურატა ურთიერთკავშირი, ასევე პოეზიის უკომპრომისობის ფენომენი, ადამიანური თავგანწირვისა და თანადგომის იშვიათი ნიმუში, რომელიც არ მთავრდება ფიზიკურ აღსასრულთან ერთად და მარადიულად აგრძელებს არსებობას.

4.სტატიაში განხილულია ბორის პასტერნაკისა და ქართველი პოეტების ,პირველ რიგში ტიციან ტაბიძესა და პაოლო იაშვილთან და მათ ოჯახებთან ,შემოქმედებითი ურთიერთობის ძირითადი მომენტები. „ცისფერყანწელებთან „ ურთიერთობის მომენტისთვის ბ.პასტერნაკი უკვე მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა არამარტო რუსულ,არამედ მსოფლიო პოეზიისთვის. ამავდროულად ის ოფიციალური ხელისუფლებისთვის მუდმივ პრობლემას წარმოადგენდა ,ვინაიდან საერთო იდეოლოგიური ხაზის მიღმა იდგა და ვერაფრით ვერ მოთავსდა სოცრეალიზმის ჩარჩოებში პასტერნაკთან ურთიერთობა დიდ პატივთან ერთად შეიცავდა, პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, მეტ–ნაკლებ საფრთხეს. პასტერნაკმა იმდენად ღრმად გაითავისა საქართველო,თავისი ადგილი მის სულიერ ელიტაში,რომ ქართული კულტურისათვის სამუდამოდ გახდა მისი ორგანული ნაწილი ,მეგობრებისთვის ბედის თანაზიარი,ხოლო ბავშვებისთვის „ძია ბორია“ . მოხდა მომენტის,ატმოსფეროს,პოეტური ობერტონების და სულიერ მოთხოვნილებათა თანხვედრა,წარმოიშვა კავშირთა ,შემოქმედებით ძიებებისა და აღმოჩენების მთელი სამყარო .ის იქცა ქართულ0რუსული კულტურული ურთიერთობების სწორუპოვარ ლეგენდად .

ბორის პასტერნაკისა და და მისი ქართველიმეგობრების მიმოწერა საუკუნის ეპისტოლარული ჟანრის საუკეთესო მაგალითად იქცა. რამდენიმე პირის თითქოსდა კერძო მიმოწერა ,მხოლოდ მონაწილეთათვის გასაგები ფაქტებითა და მოვლენებით, ადამიანური თანაგრძნობისა და თანადგომის საოცარ შესაძლებლობებს

წარმოაჩენს,რომლებიც გამსჭვალულია ნათელი გრძნობების რწმენით,ნიჭითა და სიმამაცით.

5. ნაშრომშიგანხილულია მოსკოვსა და პეტერბურგში გამართულ საერთაშორისო კონფერენციის– «Борис Пастернак и Тициан Табидзе: дружба поэтов как диалог культур» შედეგები ,რომელიც იქცა ქართულ და რუსულ კულტურათა ცოცხალი კავშირებისა და პასტერნაკის განსაზღვრებით „სისხლისმიერი კავშირის“ დადასტურებად . გადაწყდა ,რომ ორი პოეტის იუბილე ერთდროულად აღნიშნულიყო. ქართულ–რუსული ურთიერთობა რთულ პერიოდს განიცდის ,მაგრამ კონფერენციამ არამარტო დაადასტურა ქართულ–რუსული კულტურული კავშირების სიცოცხლისუნარიანობა,არამედ ახალი იმპულსი მისცა მას

კონფერენციის პათოსი დაეფუძნა ორი პოეტის სიღრმისეულ შესწავლას ,მათი ტექსტებისა და და ბიოგრაფიული ფაქტებისადმი ფაქიზ დამოკიდებულებას, ხოლო ,მეორე მხრივ,პასტერნაკისა და ტიციან ტაბიძის ცხოვრებისეული და შემოქმედებითი თანხვედრის ფაქტორს,რომელშიც გამოვლინდა ადამიანური და შემოქმედებითი შესაძლებლობების თვალსაჩინო მაგალითი ტოტალიტარულ ეპოქაში .

თემატიკის მრავალფეროვნება და მკვლევართა ინტერესების ფართო სპექტრი ნათლად ადასტურებენ ,რომ ხდება პრობლემატიკის სპეციფიკაცია ,პერსონოლოგიისა და კულტუროლოგიის პრობლემატიკიდან გამომდინარე.აქ წარმოდგენილი აკადემიური და ემოციური მოხსენებები ერთ მთლიანობას წარმოადგენდნენ,რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა თემის დრამატულმა ხასიათმა და საერთო განწყობის თანხვედრამ.

6. სტატიაში განიხილება პოლონური წარმოშობის არქიტექტორ ალექსანდრე შიმ კვევიჩის –თბილსში არსებული არაერთი ცნობილი შენობის– შემოქმედება ,საკმარისია დავასახელოთ: კორნელი ტატიშჩევთან თანამშრომლობით შექმნილი საარტისტო საზოგადოების შენობა (დღეს შოთა რუსთაველის სახ.დრამატული თეატრი),კონსერვატორია,უმაღლესი სასამართლო,მარჯანიშვილის ქუჩაზე არსებული უნივერმაღის (დღეს TBC ბანკი), კავკასიის აბრეშუმის სადგური(მუშტაიდში),ანდრიოლეტის სახლი, სახაზინო სახლი ლადო გუდიაშვილის ქუჩაზე,საცხოვრებელი სახლები ჭონქაძისა და უზნაძის ქუჩაზე, ჩვენამდე ვერმოღწეული ფუნიკულორის ქვედა სადგური (არქიტექტორ ბლუშთან ერთად), ბათუმის გიმნაზია... ალბერტ ზალზმანის სიკვდილის შემდეგ მან დაასრულა ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობა. ქალაქის არქიტექტორის –მაშინ ეს თანამდებობა საკმაოდ მოკრძალებულად ჟღერდა –რანგში (1885-1891) 30 წლის ა.შიმკევიჩმა დაიწყო იმ პერიოდისთვის გრანდიოზული მშენებლობა .რუსეთის ჩრდილოეთ დედაქალაქში აღზრდილი და ევროპულ ტრადიციას ნაზიარები არქიტექტორი მისთვის სრულიად უცხო გარემოში აღმოჩნდა.უძველესმა ქალაქმა თავისი განუმეორებელი რელიეფით ,სადაც ყველა უბანი სხვადასხვა ასწლეულში იქმნებოდა და ცალკე სამყაროს წარმოადგენდა ერთიან განვრცობად საქალაქო სივრცეში ,გარკვეული შთაბეჭდილება მოახდინა შიმკევიჩზე . საჭირო იყო საოცარი სიმამაცე,მასშტაბური აზროვნება,მძლავრი შემოქმედებითი მუხტი ,რომ შეექმნა თბილისის ახალი ცენტრი და ამავდროულად შეენარჩუნებინა ქალაქის ინდივიდუალობა და მიენიჭებინა ქალაქისთვის თანამედროვე სახე.

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				

3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ-ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	დავით გოცირიძე	E-mail Communication and Teaching of the Epistolary Genre	World Congress of Modern Languages March 26-28 ,2015.	Niagara Falls ,Canada	8
2	დავით გოცირიძე	Взаимодействие разнофактурных блоков в структуре плакатного текста	XIII Конгресс МАПРЯЛ «Русский язык и литература в пространстве мировой культуры»	13-20 сентября 2015 года, Гранада, Испания	9
3	დავით გოცირიძე	Responsive communications strategy in the structure of the dialogue	Перевод как средство взаимодействия культур»	Krakow 17.12. – 21.12. 2015	8
4	დავით გოცირიძე	Заглавие в глобальной сети и проблема межкультурной коммуникации	**Перевод как средство обогащения мировой культуры»**	21.11 по 24.11 Lleida (Spain) University Press	9
5	დავით გოცირიძე	Ethos and Pathos of cross-cultural communication	International Colloquium “The Bookof Dede Korkut and Friedrich von Diez-200	Baku,2015	
6	მარინა ანდრაზაშვილი / ნატალია	Обучение параллельным русским и немецким	Материа-лы XIII Конгресса	г. Гранада, Испания, 13–20 сентября 2015	6

	ბასილაია	вопросительно-апеллятивным языковым средствам в условиях многоязычия 36//Русский язык и литература в пространстве мировой культуры:	МАПРЯЛ (	года) / Ред. кол.: Л. А. Вербицкая, К. А. Рогова, Т. И. Попова и др. — В 15 т. — Т. 11. — с. 36.- 41. СПб.: МАПРЯЛ, 2015. — 289 с.	
7	ნატალია ბასილაია	Семантические изменения прецедентного высказывания в современном прочтении/ Система І структура східнословянських мов. Збірник наукових праць.	№ 8	Київ, Вид-во НПУ імені М.П.Драгоманова	8
8	ნატალია ბასილაია	Социолингвистические данные о московском дворянстве в комедии Грибоедова «Горе от ума»	Материалы международной научно-практической конференции «А.С. Грибоедов: русская и национальные литературы»:	Ереван, Издательский дом «Лусабац»	12

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. ელექტრონული კომუნიკაცია და ეპისტოლარული ჟანრის სწავლება

ნაშრომი ასახავს ეპისტოლარული ჟანრის დინამიკის პრობლემას,რომლის ტიპოლოგიურ ნაირსახეობასაც ელექტრონული წერილი წარმოადგენს. პრობლემა განხილულია კომუნიკაციის თეორიისა და ფსიქოლინგვისტიკის ჭრილში,რაც საშუალებას იძლევა თვალი მივადევნოთ კომუნიკაციური სიტუაციის სტრუქტურის დიფერენციაციის პროცესს, რომელიც ეხება როგორც კომუნიკანტთა ფსიქოლოგიური როლების ახლებურ გააზრებას, ასევე საკომუნიკაციო ფაქტურის დინამიკასა და კრეოლიზაციის პროცესს .ელექტრონული კომუნიკაციის პროცესი განხილულია აგრეთვე ეპოქის „ენობრივი გემოვნების“ პრობლემასთან მიმართებაში.

2. განსხვავებული სემიოტიკური ფაქტურის ბლოკების ურთიერთქმედება პლაკატის სტრუქტურაში

ნაშრომში განხილულია რთული სემიოტიკური წარმონაქმნის (როგორიცაა კრეოლიზებული ტექსტი) სტრუქტურაში შემავალი ენობრივი და ვიზუალური სეგმენტების ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა,რომელმაც განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა გლობალიზაციის ეპოქაში. ზემოქმედების საკომუნიკაციო მექანიზმებს ,რომელიც ადრე, ძირითადად, ვერბალურ ინფორმაციას ეყრდნობოდა,შეემატა ზემოქმედების ახალი მექანიზმები, რომლებიც გამოსახულებაზე ,ფერთა კომბინატორიკაზე ,პრეცედენტულ გამოსახულებაზე არიან ორიენტირებულნი. აღნიშნული მექანიზმების ზემოქმედებითი პოტენციალი დამოკიდებულია საკომუნიკაციო ფაქტურების ინფორმაციული ბალანსის რეგულირებაზე და კონკრეტული ამოცანებითაა განპირობებული .

3. რესპონსიული კომუნიკაციური სტრატეგია დიალოგის სტრუქტურაში

ნაშრომში სამეტყველო აქტების თეორიის პოზიციიდან განხილულია ეროტეტიკული და რესპონსიული სტრატეგიების ოპოზიციის საკითხი,რომელიც წარმოადგენს „მოლაპარაკე ცნობიერებათა „ ინტერაქციას და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში კომუნიკანტთა მიერ არჩეულ ტაქტიკაში ვლინდება.სტატიაში განხილულია დესტრუქციული საკომუნიკაციო ტაქტიკის დემონსტრირების ფორმები დიალოგურ დისკურსში,რაც უაღრესად მნიშვნელოვანია ინტერკულტურული კომუნიკაციის პრინციპების ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

4. სათაური გლობალურ საკომუნიკაციო ქსელში და კულტურათშორისი კომუნიკაცია

ნაშრომში განხილულია ინფორმაციული ეპოქისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემა - ინფორმაციული ნაკადების სულ უფრო მზარდი რაოდენობისა და მისი გადამუშავების ტექნოლოგიების ჩამორჩენის პრობლემა.მეორადი ტექსტების ინფორმაციული ფუნქციით გამოყენება - ჩანაცვლება ჯერ კიდევ დამწერლობამდელ ფოლკლორული ტექსტებისთვის იყო დამახასიათებელი ,სადაც ჩამოყალიბდა ინფორმაციის გადამუშავების ,გადაცემისა და შენახვის მექანიზმები.საკომუნიკაციო სივრცის გლობალიზაციის პირობებში სათაური ,როგორც საინფორმაციო ტექსტი

უაღრესად მნიშვნელოვან მაორიენტირებელ ფუნქციას იძენს ,რომლის თარგმანში გადმოტანის პრობლემატიკაც განხილულია წინამდებარე ნაშრომში

5. ეთოსი და პათოსი კროსკულტურულ კომუნიკაციაში

მოხსენება მიეძღვნა ეთნიკური ცნობიერებისა და დეონტოლოგიური კატეგორიების ურთიერთქმედების საკითხს ,რომლის მანიფესტაციაც კულტუროგენურ ტექსტებში ხდება.“დედე გორგუდისა“ და ქართული ეპიკური ჟანრის ტექსტების კროს -კულტურულმა ანალიზმა საშუალება მოგვცა ერთმანეთისთვის შეგვეფარდებინა ქცევისა და ინოფონებთან ურთიერთობის ნიუანსები ,გამოგვევლინა ტიპოლოგიური და ეროვნულ-სპეციფიკური ნიშნები .

6. **აპელატიურ-ინტერროგატიულ საშუალებათა პარალელური სწავლება რუსულსა და გერმანულში მრავალენოვნების ფონზე.**

(პუბლიკაცია საერთაშორისო ელექტრონულ კრებულში „რუსული ენა და ლიტერატურა მსოფლიოკულტურის სივრცეში“)

წინამდებარე პუბლიკაცია არის ორი ავტორის – ნატალია ბასილაიასა (სლავისტი) და მარინა ანდრაზაშვილის (გერმანისტი) – ლინგვოდიდაქტიკური პროფილის ერთობლივი გამოკვლევა, რომელიც ასახავს მათ მიერ ინიცირებული ექსპერიმენტის შედეგებს.

ექსპერიმენტი ტარდებოდა თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ინტერნაციონალურ ჯგუფში. პრობანდები იყვნენ ქართველი, რუსი, აზერბეიჯანელი, უკრაინელი, სომეხი და ოსი ეროვნების სტუდენტები, რომლებიც სრულყოფილად მხოლოდ მშობლიურ ენას ფლობდნენ, რუსულსა და გერმანულს კი – საშუალოდ A1– A2 – B1 დონეზე.

ექსპერიმენტის მიზანი იყო, მრავალეროვნებისა და მრავალენოვნების ფონზე, დაახლოებით თანაბარი დარგობრივი უნარების მქონე, მაგრამ განსხვავებული ენობრივი წინარეცოდნის პირებში გამოგვევლინა ორი უცხოური ენის პარალელურად სწავლების შედეგები დარგობრივ ტექსტებზე დაყრდნობით. ტექსტების თემატიკა ითვალისწინებდა ინტერვიუს წარმართვის ტექნოლოგიების გამომუშავებასა და მასთან დაკავშირებული ლექსიკური მინიმუმის, ისევე როგორც გრამატიკული, კერძოდ, აპელატიურ-ინტერროგატიული წინადადებების, გამოყენების დაუფლებას; თემასთან დაკავშირებული ზეპირი ქმედებისა და წერითი უნარების განვითარებას.

ექსპერიმენტმა წარმოაჩინა ის კეთილმყოფელი ურთიერთზეგავლენა, რომელსაც ერთი ენა ახდენდა მეორეზე ენობრივი ტრანსფერირების მომენტის გაცნობიერებული თუ ინტუიტური გამოყენების გზით. მიღწეული შედეგები სრულყოფილადაა წარმოდგენილი პუბლიკაციაში და გარკვეული რეკომენდაციებია მიწოდებული მის დასკვნით ნაწილში.

7. **თანამედროვე ინტერპრეტაციაში პრეცედენტული გამონათქვამის სემანტიკური ცვლილებები**

სტატიაში ლინგვომეტაფოროლოგიის კონტექსტში განიხილება პრეცედენტული გამონათქვამის "ჩვენ დავინახავთ ალმასებიან ცას" («Мы увидим небо в алмазах») რემინისცენციის პრობლემა სხვადასხვა ფუნქციონალური სტილის ტექსტებში. ამასთან დაკავშირებით აქტუალურად გვესახება პრეცედენტულ ტექსტებში აზრების მრავალჯერადი სტრუქტურირების მექანიზმის გამოვლენა. სტატიაში განხილულია მედია კომუნიკაციის პარალელური რუსული და გერმანული ლექსიკური და გრამატიკული ფორმების დაუფლების საჭიროება, კერძოდ, ინტერვიუში, როგორც მედიის ერთ-ერთ ძირითად ჟანრში ტიპიური კითხვის, მოწონებისა და ხელშეწყობის გამოხატვა, შერეულ ენის ჯგუფებში ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის.

სოციოლინგვისტური მონაცემები მოსკოვის თავადაზნაურობის შესახებ გრიბოედოვის კომედია "ვაი ჭკუისგან"

სტატიაში განხილულია ა. ს. გრიბოედოვის პიესაში ფართოდ წარმოდგენილი XIX საუკუნის პირველი ნახევრის მოსკოვის არისტოკრატიული საზოგადოების სოციალურ - ლინგვისტური ნიშნები, რომელიც ობიექტური ენობრივი სურათს ქმნის: ერთიანი სიუჟეტით დაკავშირებული კომედიის გმირები აწვდიან მაყურებელს საჭირო ინფორმაციას საკუთარი თავის, საქმიანობის, ხასიათის, გრძნობების შესახებ გარითმული დიალოგის სპეციფიური ფორმით.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	დავით გოცირიძე	კიევის სასულიერო აკადემია და განათლების რეფორმა საქართველოში	თბილისი: თსუ ,2015
2	მარიამ ფილინა	პოლონურ „კავკასიელ“ პოეტთა როლი ქართულ-პოლონური კულტურული ურთიერთობების განვითარებაში	თბილისი, თსუ, 15-16.06.2015 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „პოლონური კავკასია“. ისტორია და პერსპექტივები“. მიძღვნილი კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირ „პოლონია“-ს დაარსებიდან 20 წლისთავს. გაიმართა პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პროექტის ფარგლებში, მსოფლიო თანამეგობრობა „პოლონია“-ს და საქართველოში პოლონეთის საელჩოს მხარდაჭერით
3	მარიამ ფილინა	აკაკი წერეთლის პოეზიის პოლონური თარგმანები	თბილისი, თსუ, 22-23.06.2015 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „აკაკი წერეთელი და მისი ეპოქა“ მიძღვნილი აკაკი წერეთლის დაბადებიდან 175 და გარდაცვალებიდან 100 წლის იუბილესადმი
4	მარიამ ფილინა	იდეოლოგია და მეცნიერება: დამორჩილება და იგნორირების მაცდელობა	თბილისი, თსუ, 17-20.09.2015 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „რუსეთი და საქართველო იმპერიის შემდეგ. კულტურულ-ლიტე-რატურული ასპექტები“. თსუ

			- ბოჰუმის უნივერსიტეტი (გერმანია).
5	მარიამ ფილინა	ქართულ-პოლონური ლიტერატურული ურთიერთობები დასაწყისიდან თანამედროვეობამდე.	თბილისი, შოთა რუსთაველის ქართული - ლიტერატურის ინსტიტუტი, 23-25.09.2015 IX საერთაშორისო სიმპოზიუმი „ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა“ (სიმპოზიუმი ეძღვნება აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან 100 წლისთავს)
6	**ნატალია ბასილაია**	ბოდუენ დე კურტენე პოლონელებისათვის რუსული ენის შესწავლის შესახებ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „პოლონური კავკასია“ ისტორია და პერსპექტივები	2015 წლის 15 ივნისი თსუ, 1 კორპუსი აუდ.206
7	მაია თუხარელი	იოანა ხმელევსკაიას შემოქმედების გავლენა ირონიული დეტექტივის განვითარებაზე	თბილისი, თსუ, 15-16.06.2015 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ პოლონური კავკასია. ისტორია და პერსპექტივები“ მიძღვნილი კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირ „პოლონია“-ს დაარსებიდან 20 წლისთავს.
8	მაია თუხარელი	იმორალიზმი, როგორც მოდერნისტული და პოსტ-მოდერნისტული ლიტეარტურის კომპონენტი	მეცხრე საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი აკადემიკოს გიორგო ჩიტაიას დაბადებიდან 125 წლის თავისადმი, თბილისი,2015, 17-18 ივნისი

9	მაია თუხარელი	თსუ-ს პოსტსაბჭოთა პერიოდის სამეცნიერო ფილოლოგიური კრებულების შესახებ	თბილისი, თსუ, 17-20.09.2015 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „რუსეთი და საქართველო იმპერიის შემდეგ. კულტურულ-ლიტერატურული ასპექტები“. თსუ - ბოჰუმის უნივერსიტეტი (გერმანია).
10	მაია თუხარელი	Мотив жениха в русской драматургии XIX века	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კონფერენცია 14 მაისი – 12 ივნისი,თბილისი – 2015
11	მ. ალექსიძე	კროს-კულტურული ურთი-ერთქმედების შესწავლის ლინგვისტური მეთოდები	2015 წლის 10 ივნისი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი.
12	მ. ალექსიძე	გადმოცემის კატეგორიის ზოგიერთი ასპექტი შეპირის-პირებითი ანალიზის ჭრილში.	2015 წლის 17-18 ივნისი, თბილისი: მეცხრე საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი აკად. გიორგი ჩიტაიას დაბადებიდან 125 წლისთავისადმი. თბილისი

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1. კიევის სასულიერო აკადემია და განათლების რეფორმა საქართველოში

თანამედროვე მეცნიერების განვითარება ანტროპოცენტრისტულ ფაზაში გადავიდა ,რაც განათლების სფეროსაც შეეხო.ინფორმაციულ საზოგადოებისთვის უაღრესად აქტუალური გახდა ცოდნისა და ზნეობის სიმბიოზის პრობლემა,პრობლემა რომელიც სასულიერო საგანმანათლებლო ცენტრებში განსაკუთრებული სიღრმით იყო დამუშავებული. კიევის სასულიერო აკადემიის საგანმანათლებლო ტრადიცია უაღრესად მნიშვნელოვან ემპირიულ ბაზას წარმოადგენს და მნიშვნელოვანი როლი შეუძლია შეასრულოს ქართული საგანმანათლებლო სისტემის დახვეწაში.

2. კავკასიასა და კერძოდ, საქართველოში, პოლონელთა მოღვაწეობა რომანტიზმის პერიოდში პოლონური ემიგრაციის ისტორიის განსაკუთრებული ეტაპია. მატიანეებში იგი ჩაიწერა როგორც დედამიწის ამ ნაწილში პოლონელთა ძალისმიერი გადასახლება.

რომანტიზმის ირგვლივ მსჯელობა დღესაც გრძელდება, იგი ყველას

თავისებურად წარმოუდგენია. არასპეციალისტთათვის რომანტიზმი, უპირველეს ყოვლისა, სულის აღსარებაა, ამაღლებული გრძნობებია და არაჩვეულებრივი პიროვნების ბობოქარი ცხოვრებაა. ეს გმირი კი, მათი აზრით, როგორც წესი, სხვადასხვა ეგზოტიკურ ვითარებაში იმყოფება. ჩვენი პერსონაჟები – „კავკასიელი“ პოეტები – ჭეშმარიტი რომანტიკოსები არიან, ოღონდ რომანტიზმის ყველაზე ტრაგიკულ რეგისტრში. თუმცა რომანტიზმში ისედაც, ყველაზე ხშირად, ტრაგიკული აღქმა იგულისხმება. პოლონელი „კავკასიელი“ პოეტები მათთვის ეგზოტიკურ სამყაროს თავისი ნებით არ შეეჯახნენ და ეს სამყარო მათთვის რეალურად მკაცრი იყო. პოეტები ჯარისკაცები გახდნენ და კავკასიურ ომში იღუპებოდნენ. ტყუილად მიაჩნიათ, რომ კავკასიაში – „სამხრეთ ციმბირში“ – ყოფნა გადასახლებულთათვის უფრო იოლი გადასატანი იყო, ვიდრე ნამდვილ ციმბირში. სიტუაციის ტრაგიზმი იგრძნობა მათ მიერ შექმნილ ნაწარმოებში. ჩვენ გადავწყვიტეთ შეგვედგინა ანთოლოგია, რომელშიც პირველად იქნებოდა შეტანილი გადასახლებულ პოლონელთა ყველა ჟანრის ტექსტები – მათი ლექსები, პროზა, წერილები, დღიურები, რომ თუნდაც არასრულად, მაგრამ ყველა რაკურსით წარმოგვედგინა მათი შესაძლებლობების მთელი სპექტრი.

გადმოსახლებულ „კავკასიელებს“ რომ ისტორიაში თავიანთი კვალი არ დაეტოვებინათ, რომ არ ჩართულიყვნენ პოლონეთის ლიტერატურულ პროცესში, ჩვენ თითქმის არაფერი გვეცოდინებოდა მათ შესახებ და არც მათი კავკასიაში ცხოვრება და მოღვაწეობა გვექნებოდა გააზრებული. მათმა მემკვიდრეობამ, ფაქტობრივად, მეხსიერების ხანგრძლივი მექანიზმი აამუშავა.

3. ქართული პოეზია ყოველთვის წარმოადგენდა პოლონელი ლიტერატორების ინტერესის სფეროს. პოლონელი და ქართველი პოეტების თანამშრომლობის შედეგად გამოიცა სერიოზული ანთოლოგია – *ქართული პოეზიის ანთოლოგია* (ვარშავა, 1961, ლეოპოლდ ლევინის რედაქციით. 286 გვ.), *ძველი ქართული პოეზია* (ვარშავა, 1974, შემდგ. ლეოპოლდ ლევინი. 327 გვ.) და *ქართული პოეზია* (ლოძი, 1985, შემდგ. იგორ სიკირიცკი. 630 გვ.). ყველა ანთოლოგიაში შევიდა აკაკი წერეთლის პოეზიის თარგმანები.

პირველში შეიტანეს „იავნანა“, „პოეტი“ (თარგმ. ვ.სლობოდნიკი), „სულიკო“ (თარგმ. ა.კამენსკა), „აღელდი ზღვაო“ და „ხანჯალი“ (თარგმ. ა.მენძიჟეცკი).

მეორე ანთოლოგიაში შევიდა „სულიკო“ (თარგმ. ა.კამენსკა), „ხანჯალი“ (თარგმ. ა.მენძიჟეცკი), „პოეტი“ (თარგმ. ვ.სლობოდნიკი), „განთიადი“ (თარგმ. ტ.ხრუშჩელევსკი), „ღამურა“ და „ქართველი ქალი“ (თარგმ. ი.სიკირიცკი), „გამზრდელი“ თარგმნა შემდგენელმა.

მესამე ანთოლოგიაში შეტანილია ყველა ლექსი „გამზრდელის“ გარდა.

აკ.წერეთლის ყველაზე პოპულარული ლექსია „სულიკო“, რომელიც თარგმნილია ოთხჯერ, მათ შორის, ორი მთარგმნელი უცნობია. იგი გახდა ცნობილი სიმღერა

პოლონეთში.

ქართული შედევრის ყველაზე საინტერესო ინტერპრეტაცია ეკუთვნის მთარგმნელს ანა კამენსკას. მისი თარგმანი არ გამოირჩევა ტექსტის სიზუსტით, და ლექსის სასიმღერო წყობაც გადმოსაცემად სერიოზულ სირთულეს წარმოადგენს, რამდენადაც პოლონურად მელოდიური ჟღერადობა უნდა შეინარჩუნოს, ხოლო პოლონური სასიმღერო წყობა პრინციპულად განსხვავდება ქართულისგან. „სულიკოს“ თარგმანი მით უმეტეს მნიშვნელოვანია, რადგან ეს არის ქართული ლირიკიდან ერთ-ერთი იმ მცირე ნაწარმოებთაგანი, რომელიც უკვე მე-19 საუკუნეში იყო ცნობილი პოლონეთში და უცნობი ავტორისეულ თარგმანში სიმღერადაც სრულდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ანა კამენსკამ, განსაკუთრებული ლირიკული ნიჭის მქონე პოეტმა, მშვენივრად გაართვა თავი აღნიშნულ სირთულეებს.

სულიკოს ჟღერადობა შესრულებულია განსაკუთრებული კამერული ლირიზმით.

შეიძლება ითქვას, რომ აკაკი წერეთლის პოეზია საკმაოდ ორგანულად ჟღერს პოლონურ ენაზე.

4. მოხსენებაში თანამედროვე პოზიციებიდან (საბჭოთა კავშირის დაშლის ეპოქიდან გასული დროის დისტანციის გათვალისწინებით) მოცემულია იმ პროცესების ანალიზი ,რომლებიც ჰუმანიტარულ მეცნიერებებში მიმდინარეობდა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში.
ნაშრომში განხილულია 1970–80–იანი წლების ქართული რუსისტიკისძირითადი მიღწევები.ავტორი ეყრდნობა მოსაზრებას,რომ ჰუმანიტარული მეცნიერებები ყოველთვის ეპოქის მოთხოვნებთან და კონკრეტულ იდეოლოგიასთანაა დაკავშირებული .გარკვეულად ემორჩილება მას ,ზოგჯერ ცდილობს გვერდი აუაროს და დაპირისპირების რეჟიმში ვითარდება.სხვა საკითხია,რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში იდეოლოგია არ არის ყოვლისმომცველი,საბჭოთა სინამდვილეში ის ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში იჭრებოდა და განსაზღვრავდა დასაშვებსა და დაუშვებელს მეცნიერებაში სისასტიკის ვარიატულობით სხვადასხვა ეპოქაში .შესწავლილია ის პერიოდი,როდესაც აღარ ხორციელდებოდა ინტელიგენციის ღია რეპრესიები,რომელიც მხოლოდ აშკარა დისიდენტებს ეხებოდა.საქართველოში გარკვეული თვალსაზრისით სპეციფიკური სიტუაცია იყო. უკვე აღარ იყო იდეებით შეპყრობილი პარტიული იდეოლოგები,რომელთაც გულწრფელად სჯეროდათ კომუნიზმის აშენების .ნაშრომში განიხილება ლიტერატურული პროცესის სხვადასხვა ფორმა–ნაბეჭდი შრომები,არაფორმალური შეხვედრები,კონფერენციები,სწავლების პროცესში სტუდენტთა აღზრდა.

ქართული რუსისტიკა არასდროს არ ყოფილა (და არც შეიძლება ყოფილიო)აშკარად დისიდენტური,თუმცა არასდროს ყოფილა ორთოდოქსალურ–სოციალისტურიც) .მან მოიცვა სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულება და ეროვნული სტიქია და განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მაქსიმალურად იყენებდა გამოხატვის შედარებით თავისუფლებას და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა როგორც ზოგადად რუსისტიკაში,ასევე ქართულ–რუსული ლიტერატურული ურთიერთობების , ენობრივ და კულტურული ურთიერთობებისა და კომპარატივისტიკის სკოლების შექმნაში.

5. პოლონელების კავკასიაში და კერძოდ, საქართველოში ყოფნა რომანტიზმის პერიოდში, განსაკუთრებული ეტაპია პოლონური ემიგრაციის, კერძოდ, დედამიწის ამ კუთხეში ყოფნის თვალსაზრისითაც და ზოგადად, პოლონელთა ძალისმიერი გადასახლების ისტორიის გააზრების თვალსაზრისითაც.

კავკასიაში გადმოსახლებულებმა პოლონური სიტყვიერების უნიკალური სივრცე შექმნეს, რომელშიც მრავალმხრივი ინტერესებით აღსავსე ინტელიგენციის დიდი ნაწილი გაერთიანდა. ისინი მშობლიურ ლიტერატურულ წრეს იყვნენ მოშორებულნი და

ქმნიდნენ პოლონური რომანტიზმის განსაკუთრებულ განშტოებას. ეს იყო განუმეორებელი პოეზია რომანტიკოსთა უმცროსი თაობისა (დაახლოებით ათი წლით მიცკევიჩზე უმცროსი). ჩვენ მის ტიპოლოგიურ თავისებურებებს ვარკვევთ. აქ არის მათი თემატიკისა და იდეური პოსტულატების კვლევა, განდევნილობის მენტალური თვალსაზრისით საკუთარი სამყაროს შექმნის შესწავლა და ქრონოტოპის კოორდინატების განსაზღვრა (“კატასტროფამდე” თუ “კატასტროფის შემდეგ”).

თავიანთ საკუთარ პოეზიას “კავკასიელები” აღიქვამდნენ როგორც სულიერი სიკვდილისაგან მხსნელს და ამასთანავე, კვნესას, რომლისგანაც თავს ვერ იკავებდნენ. პოეზიის მნიშვნელობას როდი დავამცირებთ თუ ვიტყვით, რომ იგი იყო საკუთარი თავის გამოხატვის ერთადერთი საშუალება, რომელიც არავითარ მატერიალურ სახსრებს არ მოითხოვდა კალმისა და საწერი ქაღალდის გარდა. არსებობის სხვა დონეზე გადასვლა ნიშნავდა საზოგადოებრივი მდგომარეობის მკვეთრ ცვლილებას, ფაქტობრივ დეგრადაციასა და სიღატაკეს. მათ ნაწარმოებებსა და წერილებში მრავალი სიტუაცია და უბედობაა აღწერილი: “ეს იყო რაღაც პაროქსიზმი, წარმოუდგენელი მდგომარეობა. მთელი ჩემი ცხოვრება იყო კალამი ხელში და სულიერი მისწრაფებანი, ახლა კი მძიმე ტვირთი ამკიდეს და ისეთი ფიზიკური შრომა დამავალეს, რაც ჩემს ძალას აღემატება” (ს. იურკოვსკის პ. პოდგორსკასთან 1939 წლის 2 აგვისტოს მიწერილი წერილი).

პირველი თაობის პოლონელმა “კავკასიელებმა”, კავკასია თავიანთ “ბედისწერად” შეიცნეს. ეს გაცილებით მეტი იყო, ვიდრე მოგზაურის შთაბეჭდილებანი. პოლონელთა ასეთი დიდი ჯგუფი, რომელმაც უაღრესად მკაფიო კვალი დატოვა კავკასიის ცხოვრების ყველა სფეროში, შემდეგ აღარასოდეს შექმნილა. საქართველოში ასეთ პოლონელთა ყოფნამ ჩაუყარა საფუძველი ქართულ-პოლონური კონტაქტების ტრადიციას; სწორედ ისინი იყვნენ ფუძემდებელნი ერთ-ერთი უძველესი და ორიგინალური პოლონიისა (პოლონური დიასპორისა), რომელიც დღესაც ფუნქციონირებს.

მნიშვნელოვანია ფაქტი, რომ მათი ნაწარმოებები, ორმაგი ცენზურის მიუხედავად, მაშინაც პოლონურ ალმანახებშიც იბეჭდებოდა მათი დაწერიდან თითქმის უმალვე. ისიც მნიშვნელოვანია, რომ ეს ნაწარმოებები თვითცენზურასაც გადიოდნენ და თითქმის არ გეხვდება ისეთი აბდაუბდა და უაზრო ტექსტები, როგორსაც დღეს ვაწყდებით ხოლმე. მას შემდეგ, რაც პოლონური ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი ჯგუფი კავკასიაში გადაასახლეს (ბევრისათვის ეს გადასახლება უვადო იყო), დაგროვდა დიდძალი მასალა და ამასთან ერთად მოხდა მასალის ხარისხობრივად განსხვავებული გააზრება. პოლონელ მწერალ რომანტიკოსებისათვის კავკასია და საქართველო შემოქმედებითი აღმაფრენის ქვეყანა იყო: მდიდარი, არაჩვეულებრივი ბუნებითა და მხატვრული ფონით. ერთი სიტყვით, მხოლოდ და მხოლოდ ეგზოტიკურ ქვეყანას წარმოადგენდა.

ეს სტერეოტიპი მაშინ დაინგრა, როცა გადმოსახლებული პოლონელები კავკასიაში სხვადასხვა სამხედრო განაყოფებში გადაანაწილეს და ისინი იძულებულნი იყვნენ მთიელების წინააღმდეგ ებრძოლათ, ბევრ გაჭირვებას წააწყდნენ და კავკასიის რეალური ყოფა გაიცნეს. მათ შთაბეჭდილებებს არაფერი აქვს საერთო დროებით მოგზაურთა პოზიციასთან. მათი წყალობით ქართულ-პოლონური კონტაქტების პროცესი ორმხვრივი ხდება.

6. ბოდუენ დე კურტენე პოლონელებისათვის რუსული ენის სწავლების შესახებ

გამოჩენილმა ენათმეცნიერმა, ყაზანის ლინგვისტური სკოლის დამფუძნებელმა ბოდუენ დე კურტენემ, რომელმაც პოლონისტიკას მნიშვნელოვანი მონოგრაფიათა და სიღრმისეული

სტატიების რიგი მიუძღვნა, ყურადღებით ადევნებდა თვალს პოლონელებისთვის რუსული ენის სახელმძღვანელოებისა და დამხმარე მასალების გამოჩენას, რომელიც შედარებითი მეთოდის გამოყენების საფუძველზე იქმნებოდა. მან პირველმა განსახილველად გამოიტანა პოლონელებისთვის რუსული ენის სწავლების მნიშვნელოვანი საკითხები, როგორც თეორიის, ასევე მეთოდიკის სფეროში.

7. დეტექტური ჟანრი ლიტერატურის ის სახეობაა ,რომელიც დროთა განმავლობაში სერიოზული სამეცნიერო კრიტიკის ყურადღების მიღმა რჩებოდა. და ამ ჟანრის ნაწარმოებთა პოპულარობა და ხელმისაწვდომობა კრიტიკოსებს უქმნიდა წარმოდგენას დეტექტური ლიტერატურის მხატვრული არასრულფასოვნების შესახებ .ჟანრის კრიზი არაერთხელ ყოფილა ნაწინასწარმეტყველები ,მაგრამ ყველაფერი მისი მოდერნიზაციით თავდებოდა.რუსულ ლიტერატურაში დეტექტივის ჟანრი ფაქტობრივად არ არსებობდა,შესაბამისად რუსული ლიტერატურათმცოდნეობა და კრიტიკა გვერდს უვლიდა ამ „არასერიოზული“ჟანრის თეორიისა და ისტორიის შესწავლას.

დეტექტური ჟანრის ერთ–ერთ ატიპურ ნაირსახეობას ირონიული დეტექტივი წარმოადგენს ,რომელსაც ნათლად ატყვია პოსტმოდერნიზმის კვალი .

გამოძიება ირონიულ დეტექტივში იუმორისტულ სტილშია აღწერილი და,როგორც წესი,თხრობა პირველ ან მეორე პირშია მოყვანილი .ხშირ შემთხვევებში ამგვარ სტილში დაწერილი ნაწარმოები დეტექტივის შტამპების პაროდიას წარმოადგენენ . ცნობილია ,რომ მთელი რუსული მასობრივი ლიტერატურა დასავლურ მაგალითზეა აგებული . რაც შეეხება რუსულ ირონიულ დეტექტივს მის მშობლად პოლონელ მწერალ იოანა ხმელევსკაიას მოიხსენიებენ.პარადოქსულია,მაგრამ ნამდვილი ირონიული დეტექტივი რუსეთში მხოლოდ 1990–იანი წლების ბოლოს ჩნდება და დარია დონცოვას სახელს უკავშირდება .ხმელევსკაიას ნაწარმოებები საბჭოთა კავშირში პერიოდულად ითარგმნებოდა ,მხოლოდ 90–იანი წლების მეორე ნახევარში გამომცემლობა «Фантом-пресс»–მა იტვირთა მწერლის ნაწარმოებები მთლიანად ეთარგმნა. დღეს უკვე თარგმნილია მისი 50 რომანი რვა მილიონიანი ტირაჟით,რამაც ფაქტობრივად საფუძველი ჩაუყარაახალ ჟანრს–ირონიულ დეტექტივს.მიუხედავად დარია დონცოვას ნაწარმოებების დიდი პოპულარობისა ,უნდა გვახსოვდეს,რომ ირონიული რუსული ირონიული დეტექტივ ის ხმელევსკაიას უკავშირდება , თუმცა ამ უკანასკნელის წიგნების ირონიულობა განსხვავდება მისი რუსი მიმდევრების ირონიისგან .

8 იმორალიზმის მოვლენის არსებობა დღევანდელ დღეს გახლავთ მსოფლიო ხელოვნების ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა. აღნიშნული საკითხის განსაკუთრებით აშკარა გამოხატულებას შეგვიძლია ლიტერატურაში დავაკვირდეთ.

მე-20 საუკუნეში განსაკუთრებით აქტუალურობას იძენს ფილოსოფიურ-ესთეტიკური მოვლენა, რომელსაც იმორალიზმი ეწოდება. ეთიკის თვალსაზრისით კრიტიკული და მიუღებელი მიდგომა მორალურ საკითხებთან და დადგენილ ზნეობრივ ღირებულებებთან, სწორედ ეს გახლდათ იმორალიზმის ძირითადი მახასიათებელი. პირველად ტერმინი იმორალიზმი გამოყენებული იყო ისეთი სწავლების აღსანიშნად, რომლებიც მოვლენათა მორალურ მხარეს არ განიხილავდა. ერთის მხრივ, ფართო ფილოსოფიური გაგებით აღნიშნული ტერმინი ფრიდრიხ ნიცშემ შემოიტანა და ის „მორალის მიღმა“ დგება, რითაც ის საზოგადოდ მიღებულ ნორმებს აკრიტიკებს და უშვებს, რომ შესაძლებელია არსებობდეს

სხვა, ზეაღმატებული მორალი... იმორალიზმი აქტუალურობას ღებულობს მე-19- მე-20 საუკუნის მიჯნაზე. ამ დროს ის მკვიდრდება ფილოსოფიაში, ესთეტიკასა და ხელოვნებაში. მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ იმორალიზმი, როგორც მოვლენა არსებობდა უძველესი დროიდან. პირველად ის ბუდიზმში გვხვდება.

მე-20 საუკუნის ლიტერატურა ეს არის ახალი ლიტერატურა. ის ჩნდება მაშინ, როდესაც ჰუმანიტარულ იდეებს, რომელსაც 19-ე საუკუნის რუსული ლიტერატურა ქადაგებდა, არ ძალუძთ კაცობრიობის კრიზისიდან გამოყვანა.

ახალი ლიტერატურა საფუძვლად იღებს იმორალიზმს,მოვლენასს, რომელიც არსებობდა უძველესი დროიდან და რომელიც დღესაც არ კარგავს აქტუალურობას. მიუხედავად აღნიშნული საკითხის აქტუალურობისა, იმორალიზმის ფენომენი მაინც ბოლომდე შეუსწავლელი პრობლემაა როგორც ფილოსოფიაში, აგრეთვე ლიტერატურის სფეროშიც. აღნიშნული მოვლენა ძირითადი საყრდენი მოემტი გახლდათ მოდერნიზმის ეპოქაში; იგი დაედო საფუძვლად პოსტმოდერნიზმს და დღეს ამავე მიმდინარეობის ერთ-ერთი ცენტრალურ კატეგორიად ფორმირდება.რუსულ ლიტერატურაში იმორალიზმი 19-20 საუკუნის მიჯნაზე იღებს სათავეს. აღნიშნული მოვლენა განსაკუთრებით შესამჩნევია რუსული ლიტერატურის 20-ე საუკუნის პროზაულ ნაწარმოებებში, რომელმაც საფუძვლად დაიდო ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფია, რომელიც დრომოჭმულ და მიღებულ ნორმებს უარყოფდა და ისეთ ახალ ნორმებსა და იდეებს ნერვადა, როგორიცაა ახალი მორალი, ახალი ადამიანი და ახალი ღმერთი - ზეადამიანი.

თუკი რუსული კლასიკური ლიტერატურის გმირის დამახასიათებელი თვისებები გახლდათ სხვის გამო საკუთარი თავის უარყოფა, ნათელი იდეალებისა და რწმენის გამო ცხოვრება, ახლა მთავარ გმირად გვესახება მხოლოდ საკუთარი თავის გამო მცოხვრები ადამიანი.

გავაანალიზეთ რა რუსი პროზაიკოსების რიგი ნაწარმოებები იმორალისტური მიმართულების კუთხით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს მოვლენა ლიტერატურის განვითარებისა ახალი ნაბიჯი გახლავთ, რომელიც ახალი ლიტერატურული ნაწარმოებების შექმნის საფუძველი გახსდება პოსტ-პოსტმოდერნისტული ეპოქაში.

9 მოხსენებაში განხილულია პოსტსაბჭოთა პერიოდისქართული რუსისტიკის ძირითადი მიღწევები(1990-2015წწ.) განხილულია ლიტერატურული პროცესის სხვადასხვა ფორმა–.ნაბეჭდი შრომები,არაფორმალური შეხვედრები,კონფერენციები,სწავლების პროცესში სტუდენტთა აღზრდა..მან მოიცვა სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულება და ეროვნული სტიქია და განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მაქსიმალურად იყენებდა გამოხატვის შედარებით თავისუფლებას და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა როგორც ზოგადად რუსისტიკაში,ასევე ქართულ–რუსული ლიტერატურული ურთიერთობების , ენობრივ და კულტურული ურთიერთობებისა და კომპარატივისტიკის სკოლების შექმნაში.

10. 19 საუკუნის რუსული დრამატურგია რეალიზმითაა ნიშანდობლივი,რაც ზოგადი ლიტერატურული პროცესის კონტექსტში ხორციელდებოდა . ამავდროულად მიმდინარეობდა ადამიანის სოციალურ–საზოგადოებრივი დამთრგუნველი ყოფის მიზეზების დაჟინებული ძიება. რუსული საზოგადოების კვლევის პროცესში დრამატურგები მივიდნენ იმ დასკვნამდე ,რომ . სოციალურ–საზოგადოებრივი პრობლემატიკა საზრდოობს ადამიანის ყოფითი ცნობიერებიდან ,ასახავს მის სულიერ დონეს ამიტომ დრამატურგიაში სოციალური სინამდვილის ერთ–ერთ პრინციპად იქცა 19–ე საუკუნის რუსი ადამიანის პირადული ყოფითი სფერო. ამან ახალი სიუჟეტურ –

კომპოზიციური ფორმა მოითხოვა ,რომელმაც საშუალება მისცა მათ გმირთა ხასიათი პირადულ,ინტიმურ სფეროში გამოევლინათ ,და,მეორე მხრივ, სოციალურ–საზოგადოებრივ პრობლემატიკაზე და ფართო ფილოსოფიურ განზოგადებებზე გასულიყვნენ .ამგვარ ფორმად იქცა საქორწინო სიუჟეტი ,ამიტომ გრიბოედოვი,გოგოლი,ა.ოსტროვსკი და სხვ. თავის ნაწარმოებებში პირდაპირ ან ირიბად ხშირად მიმართავდნე საქორწინო პრობლემატიკას ,ხოლო სასიძოს მოტივი 19–ე საუკუნის რუსულ დრამატურგიაში იქცა პირადული,ინტიმური და ,აქედან გამომდინარე, სოციალურ–საზოგადოებრივი და რუსული საზოგადოების სულიერი პრობლემატიკის გამოხატულებად .

11. მოხსენაბაში განხილულია რუსულის როგორც უცხო ენის სწავლებისა და შესწავლის ურთიერთმიმართება მოსწავლეთა სხვადასხვა კონტინგენტის განსხვავებული მიზნების გათვალისწინებით.

12. მოხსენებაში განხილულია გადმოცემის კატეგორიის ზოგიერთი ასპექტი შეპირისპირებითი ანალიზის ჭრილში ისეთი ტიპილიგიურად განსხვავებული ენების მასალაზე, როგორიცაა რუსული და ქართული ენები. გადმოცემა განიხილება როგორც თარგმანის ერთერთი სახე (შიდაენობრივი თარგმანი, გადარქმევა - რ.იაკობსონის მიხედვით), რომელიც წარმოადგენს ნიშანთა ინტერპრეტაციას იმავე ენის სხვა ნიშნების მეშვეობით. „მთარგმნელი“ (მეორე მოლაპარაკე) ხელახლა ახდენს კოდირებას და გადასცემს შეტყობინებას, რომელიც მას აქვს მიღებული სხვა წყაროდან, ასეთი თარგმანი წარმოადგენს გადმოცემას. გადმოცემა შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ირიბი დადასტუ-რების ძირითადი ქვეკატეგორია როგორც რუსულ, ასევე ქართულ ენაში.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი	
1	დავით გოცირიძე	E-mail Communication and Teaching of the Epistolary Genre	**Niagara Falls, Canada**	
2	დავით გოცირიძე	Взаимодействие разнофактурных блоков в структуре плакатного текста .	13-20 сентября 2015 года, Гранада, Испания	
3.	დავით გოცირიძე	Responsive communications strategy in the structure of the dialogue	Перевод как средство взаимодействия культур»	Краков 17.12. – 21.12. 2015

4	დავით გოცირიძე	Заглавие в глобальной сети и проблема межкультурной коммуникации	**Перевод как средство обогащения мировой культуры»,**	21.11 по 24.11 в г. Льеде (Каталония, Испания).
5.	დავით გოცირიძე	Ethos and Pathos of cross-cultural communication	International Colloquium “The Bookof Dede Korkut and Friedrich von Diez-200	Baku,2015
6.	მარიამ ფილინა	„ბორის პასტერნაკის წერილები ქართულ პოეტებთან ეპოქის კონტექსტში“	„ბორის პასტერნაკის წერილები ქართულ პოეტებთან ეპოქის კონტექსტში“	
7	მარიამ ფილინა	ქართული „პოლონიის“ ისტორია	ქართული „პოლონიის“ ისტორია	
8	მარიამ ფილინა	ალექსანდრე პოტიომკინის რომანი „რუსი პაციენტი“	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ალექსანდრე პოტიომკინის შემოქმედება“. ორგანიზებულია საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ	ესპანეთი, მალაგა - ესტეპონა, 25-29.10.2015
9.	ნატალია ბასილაია	სოციოლინგვისტური მონაცემები მოსკოვის თავადაზნაურობის შესახებ გრიბოედოვის კომედია "ვაი ჭკუისგან" - საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია „ა. ს. გრიბოედოვი რუსული და ეროვნული ლიტერატურები“	2015 წლის 26-27 აპრილი. ვ. ა. ბრიუსოვის სახელობის ენებისა და სოციალურ მეცნიერებათა ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი თუმანიანის ქ. 42	ერევანი

10.	ნატალია ბასილაია	თანამედროვე ინტერპრეტაციაში პრეცედენტული გამონათქვამის სემანტიკური ცვლილებები III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია «ენის სამყარო - სამყარო ენაში»	2015 წლის 29 ოქტომბერი. პლენარული სხდომა მ. პ. დრაგომილოვის სახელობის ეროვნული პედაგოგიური უნივერსიტეტი	კიევი, ტურგენევის ქ., 8/14
11.	მარინა ანდრაზაშვილი / ნატალია ბასილაია	აპელატიურ-ინტეროგატიულ საშუალებათა პარალელური სწავლება რუსულსა და გერმანულში მრავალენოვნების ფონზე.	2015 წლის 13–20 სექტემბერი. რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების საერთაშორისო ასოციაციის კონგრესი;	ქ. გრანადა, ესპანეთი
12.	მარინე ალექსიძე, ლაურა გურული, რევაზ ძნელაძე	ინგლისური სამეცნიერო-ტექნიკური სათაურების რუსულ ენაზე თარგმანის ძირითადი ტენდენციები	2015 წლის 13-20 სექტემბერი, გრანადა, ესპანეთი: МАПРЯЛ-ის XIII კონგრესი	ქ. გრანადა, ესპანეთი

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1. ელექტრონული კომუნიკაცია და ეპისტოლარული ჟანრის სწავლება

ნაშრომი ასახავს ეპისტოლარული ჟანრის დინამიკის პრობლემას,რომლის ტიპოლოგიურ ნაირსახეობასაც ელექტრონული წერილი წარმოადგენს. პრობლემა განხილულია კომუნიკაციის თეორიისა და ფსიქოლინგვისტიკის ჭრილში,რაც საშუალებას იძლევა თვალი მივადევნოთ კომუნიკაციური სიტუაციის სტრუქტურის დიფერენციაციის პროცესს, რომელიც ეხება როგორც კომუნიკანტთა ფსიქოლოგიური როლების ახლებურ გააზრებას, ასევე საკომუნიკაციო ფაქტურის დინამიკასა და კრეოლიზაციის პროცესს .ელექტრონული კომუნიკაციის პროცესი განხილულია აგრეთვე ეპოქის „ენობრივი გემოვნების“ პრობლემასთან მიმართებაში.

2. განსხვავებული სემიოტიკური ფაქტურის ბლოკების ურთიერთქმედება პლაკატის სტრუქტურაში

ნაშრომში განხილულია რთული სემიოტიკური წარმონაქმნის (როგორიცაა კრეოლიზებული ტექსტი) სტრუქტურაში შემავალი ენობრივი და ვიზუალური სეგმენტების ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა,რომელმაც განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა გლობალიზაციის ეპოქაში. ზემოქმედების საკომუნიკაციო მექანიზმებს ,რომელიც ადრე, ძირითადად, ვერბალურ ინფორმაციას ეყრდნობოდა,შეემატა ზემოქმედების ახალი მექანიზმები, რომლებიც გამოსახულებაზე ,ფერთა კომბინატორიკაზე ,პრეცედენტულ გამოსახულებაზე არიან ორიენტირებულნი. აღნიშნული მექანიზმების ზემოქმედებითი პოტენციალი დამოკიდებულია საკომუნიკაციო ფაქტურების ინფორმაციული ბალანსის რეგულირებაზე და კონკრეტული ამოცანებითაა განპირობებული .

3. რესპონსიული კომუნიკაციური სტრატეგია დიალოგის სტრუქტურაში

ნაშრომში სამეტყველო აქტების თეორიის პოზიციიდან განხილულია ეროტეტიკული და რესპონსიული სტრატეგიების ოპოზიციის საკითხი,რომელიც წარმოადგენს „მოლაპარაკე ცნობიერებათა „ ინტერაქციას და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში კომუნიკანტთა მიერ არჩეულ ტაქტიკაში ვლინდება.სტატიაში განხილულია დესტრუქციული საკომუნიკაციო ტაქტიკის დემონსტრირების ფორმები დიალოგურ დისკურსში,რაც უაღრესად მნიშვნელოვანია ინტერკულტურული კომუნიკაციის პრინციპების ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

4. სათაური გლობალურ საკომუნიკაციო ქსელში და კულტურათშორისი კომუნიკაცია

ნაშრომში განხილულია ინფორმაციული ეპოქისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემა - ინფორმაციული ნაკადების სულ უფრო მზარდი რაოდენობისა და მისი გადამუშავების ტექნოლოგიების ჩამორჩენის პრობლემა.მეორადი ტექსტების ინფორმაციული ფუნქციით გამოყენება - ჩანაცვლება ჯერ კიდევ დამწერლობამდელ ფოლკლორული ტექსტებისთვის იყო დამახასიათებელი ,სადაც ჩამოყალიბდა ინფორმაციის გადამუშავების ,გადაცემისა და შენახვის მექანიზმები.საკომუნიკაციო სივრცის გლობალიზაციის პირობებში სათაური ,როგორც საინფორმაციო ტექსტი უაღრესად მნიშვნელოვან მაორიენტირებელ ფუნქციას იძენს ,რომლის თარგმანში გადმოტანის პრობლემატიკაც განხილულია წინამდებარე ნაშრომში

5. ეთოსი და პათოსი კროსკულტურულ კომუნიკაციაში

მოხსენება მიეძღვნა ეთნიკური ცნობიერებისა და დეონტოლოგიური კატეგორიების ურთიერთქმედების საკითხს ,რომლის მანიფესტაციაც კულტუროგენურ ტექსტებში ხდება.“დედე გორგუდისა“ და ქართული ეპიკური ჟანრის ტექსტების კროს - კულტურულმა ანალიზმა საშუალება მოგვცა ერთმანეთისთვის შეგვეფარდებინა ქცევისა და ინოფონებთან ურთიერთობის ნიუანსები ,გამოგვეკვლინა ტიპოლოგიური და ეროვნულ-სპეციფიკური ნიშნები .

6. მოხსენებაში წარმოდგენილი ბორის პასტერნაკის მრავალმხრივი კავშირები საქართველოსა და ქართული კულტურის მოღვაწეებთან,რომლის ემპირიულ წყაროს წარმოადგენს ავტორის მიერ 1980 წელს თბილისში ჩამოტანილი საარქივო მასალები ,რომლებიც დღეს საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში ინახება . სტალინური ტერორის წლებში ბორის პასტერნაკი საკუთარი თავისუფლების და ,შესაძლოა,სიცოცხლის რისკით (აცნობიერებდა რა საფრთხეს რომელიც ელოდა მის მეგობრებს–ტიციან ტაბიძეს ,პაოლო იაშვილს,ვალერიან გაფრინდაშვილს და მრავალ სხვას) ყოველ მხრივ ეხმარებოდა თავის მეგობრებს.პაოლოსა და ტიციანის სიკვდილის შემდეგ ის მრავალი წლის განმავლობაში ეხმარებოდა მათ ოჯახებს ,მისი იმედით ჯერ კიდევ 1950-იანი წლების მეორე ნახევრამდე ტიციან ტაბიძის ოჯახი თვლიდა ,რომ ტიციანი ცოცხალი იყო და დაბრუნდებოდა.

რუსი პოეტის წერილებში შეიძლება თვალი მივადევნოთ ბედნიერი შეხვედრების,შემოქმედებითი გეგმების ,საშინელი დანაკარგებისა და გაძლების ეპოპეას.მკითხველი შეიგრძნობს იმ შორეულ წელთა ატმოსფეროს ,ხელახლა განიცდის დრამატული ურთიერთობების ეტაპებს ,ეცნობა შემოქმედებით ჩანაფიქრებსა და ,შემოქმედებასთან დაკავშირებულ სიხარულსა და ტკივილებს.წიგნში ისმის უნიკალური

პიროვნების ხმა. პასტერნაკის წერილები მისი მემკვიდრეობის ნაწილია,თავისებური პოეზია პროზაში,რომელშიც იგრძნობა გრძნობებისა და ფიქრების მძლავრი დინება.

ბორის პასტერნაკისა და მისი ქართველი მეგობრების მიმოწერა XX საუკუნის ეპისტოლარული ჟანრის ბრწყინვალე მაგალითია.რამდენიმე პიროვნების თითქოსდა კერძო მიმოწერა ,რომელიც მხოლოდ მისი მონაწილეებისთვის ცნობილ ფაქტებსა და მოვლენებს ეხება ,მრავალ ენაზე ითარგმნა ,იმიტომ რომ ასახავს ადამიანური თანაგრძნობისა და თანადგომის უსაზღვრო შესაძლებლობებს .

ერთაშორის ურთიერთობის დღევანდელი ტენდენციებიდან გამომდინარე მრავლისმეტყველია ის ფაქტი ,რომ ინტელიგეციის ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობას შიდაკულტურული კი არა ,არამედ ტრანსკულტურული ადამიანურ ღირებულებებზე დაფუძნებული ზოგადსაკაცობრიო ხასიათი ჰქონდა .წერილებში ასახულია პასტერნაკის პოზიცია :მისი მეგობრების ძალადობრივი სიკვდილის შემდეგ ის ხაზს უსვამს კავშირების უწყვეტობას,შემოქმედის პასუხისმგებლობას შემოქმედის ბედზე, რაც ძირეულად ეწინააღმდეგებოდა სახემჭიფო სისტემის მისწრაფებას–გაეწყვიტა ადამიანური კავშირები.

7. პოლონიის მსოფლიო ორგანიზაციის წარმომადგენელთა ფორუმზე წაკითხულ მოხსენებაში ,რომელზედაც 50 ქვეყანა იყო წარმოდგენილი, განხილულია პოლონელთა უძველესი კავშირის –კავკასიის პოლონიის ისტორია და უახლესი ისტორიის ეპოქაში შექმნილი კულტურულ–საგანმანათლებლო ორგანიზაცია პოლონელთა კავშირის „პოლონიის“ 20–წლიანი არსებობისა და წარმატებების სურათი (1995 – 2015 წწ). ნაშრომში მოკლედ მიმოხილულია უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო და კულტურული წამოწყებანი,მათ შორის ქართულ–პოლონურ ურთიერთობისადმი და საქართველოსთან დაკავშირებულ პოლონელ მოღვაწეებისადმი მიძღვნილი 9 საერთაშორისო კონფერენცია,რომელიც თსუ–სთან თანამშრომლობით განხორციელდა .აქვე წარმოდგენილია ინფორმაცია კავშირთან არსებულ პოლონური ენისა და ლიტერატურის კურსების ,პოლონური და ქართული მუსიკის კონცერტების ,პოლონელი მხატვრებისა და ფოტოხელოვნების გამოფენების შესახებ .კრებულში შესულია „პოლონიის“ მესვეურთა მოკლე ბიოგრაფიები,მონაცემები პარტნიორთა და მხარდამჭერთა შესახებ და ინფორმაცია იმ ქართველ და პოლონელ მოღვაწეთა შესახებ,რომლებიც თანამშრომლობენ კავშირთან. მოყვანილია ქართველ და პოლონელ სახელმწიფო მოღვაწეთა შეფასებები და ინფორმაცია მისი ხელმძღვანელის ჯილდოების შესახებ .

8. მოხსენებაში განხილულია ა.პოტიომკინის რომანი «Русский пациент» – *რომელიც ცნობიერებაში იჭრება ,როგორც მკვეთრი,ძლიერი და ულმობელი ნაწარმოები,რომელიც ,ავტორის ინტენციით, უნდა აიძულებდეს მკითხველს თავისი ნების საწინააღმდეგოდ წაიკითხოს ის .თუ მისი მიზანი ამაში მდგომარეობდა ,მაშინ ავტორმა მას მიაღწია .რომანი რთული საკითხავია,კიდევ უფრო რთულია მისი ანალიზი.იქმნება აზრი,რომ ეს განწირული საქმნიანობაა ,მსგავსად ექიმისა ,რომელიც ასევე არ ირჩევს პაციენტს . ავტორი რუსული ფილოსოფოსების ნააზრევის გამგრძელებელია და ადამიანის სულიერი გამოვლინების შესაძლო წახნაგებს წარმოაჩენს . ირღვევა ყველაფერი -ადამიანი,საზოგადოება,ქვეყანა.*

აშკარაა, რომ ავტორი სულიერების იმ მატარებლების მხარესაა, რომლებსაც პუზირკოვები

ანდგურებენ . ავტორის მიერ ადამიანის უარყოფითი თვისებების ძიებამ და მკითხველის შოკირებამ ზღვარს მიაღწია. შემდეგი სვლა ან ადამიანის უარყოფითი თვისებების მოშორებაა ან.. ?

9. სოციოლინგვისტური მონაცემები მოსკოვის თავადაზნაურობის შესახებ გრიბოედოვის კომედია "ვაი ჭკუისგან" (მოხსენება წაკითხულია საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკულ კონფერენციაზე „ა. ს. გრიბოედოვი: რუსული და ეროვნული ლიტერატურები“[1])

მთელი "თავადაზნაურული" მოსკოვი ა. ს. გრიბოედოვის პიესის ძირითადი და მეორეხარისხოვანი გმირების სახით არის ნაჩვენები, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ფართო სოციო-ლინგვისტური ცოდნის წყარო XIX საუკუნის პირველი ნახევრის მოსკოვის არისტოკრატიული საზოგადოების შესახებ არის პიესის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, "გასული საუკუნის" წარმომადგენელი პაველ აფანასიევიჩ ფამუსოვი.

1)**შენიშვნა:** წინამდებარე მოხსენება შესულია სტატიის სახით საერთაშორისო კრებულში „Материалы международной научно-практической конференции «А.С. Грибоедов: русская и национальные литературы» (იხ. ანალოგიური ტექსტი: პუნქტი 1.3)

10. თანამედროვე ინტერპრეტაციაში პრეცედენტული გამონათქვამის სემანტიკური ცვლილებები (მოხსენება წაკითხულია III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე «ენის სამყარო - სამყარო ენაში» [1])

იქიდან გამომდინარე, როგორი ფუნქციური დატვირთვის ტექსტში არის "ჩაშენებული" ჩეხოვის პრეცედენტული გამონათქვამი "ალმასებიანი ცა" («небо в алмазах») მისი მნიშვნელობა თანამედროვე გამოყენებაში საგრძნობლად განსხვავდება პირველადი მნიშვნელობისგან, ვინაიდან იგი გვევლინება როგორც: 1) მეტაფორა; 2) პერიფრაზი; 3) ფრაზეოლოგიზმი; 4) ჩვეულებრივი სიტყვათშეთანხმება, როდესაც ამ სიტყვათშეთანხმების კომპონენტების სემანტიკური თანაფარდობა ყოველ ჯერზე განსხვავებულია.

1)**შენიშვნა:** წინამდებარე მოხსენება შესულია სტატიის სახით საერთაშორისო კრებულში „Система і структура східнословянських мов. Збірник наукових праць» (იხ. ანალოგიური ტექსტი: პუნქტი 1.1)

11. აპელატიურ-ინტერროგატიულ საშუალებათა პარალელური სწავლება რუსულსა და გერმანულში მრავალენოვნების ფონზე.[1]

(მოხსენება XIII საერთაშორისო კონგრესზე „რუსული ენა და ლიტერატურა მსოფლიოკულტურის სივრცეში“.

წინამდებარე გამოკვლევა არის ორი ავტორის – ნატალია ბასილაიასა (სლავისტი) და მარინა ანდრაზაშვილის (გერმანისტი) – მიერ შესრულებული ლინგვოდიდაქტიკური პროფილის ერთობლივი ნაშრომი, რომელიც ასახავს მათ მიერ ინიცირებული ექსპერიმენტის შედეგებს.

ექსპერიმენტი ტარდებოდა თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ინტერნაციონალურ ჯგუფში. პრობანდები იყვნენ ქართველი, რუსი, აზერბეიჯანელი, უკრაინელი, სომეხი და ოსი ეროვნების სტუდენტები, რომლებიც სრულყოფილად მხოლოდ მშობლიურ ენას ფლობდნენ, რუსულსა და გერმანულს კი – საშუალოდ A1– A2 – B1 დონეზე.

ექსპერიმენტის მიზანი იყო, მრავალეროვნებისა და მრავალენოვნების ფონზე, დაახლოებით თანაბარი დარგობრივი უნარების მქონე, მაგრამ განსხვავებული ენობრივი წინარეცოდნის პირებში გამოგვეკვლია ორი უცხოური ენის პარალელურად სწავლების შედეგები დარგობრივ ტექსტებზე დაყრდნობით. ტექსტების თემატიკა ითვალისწინებდა ინტერვიუს წარმართვის ტექნოლოგიების გამომუშავებასა და მასთან დაკავშირებული ლექსიკურ-

გრამატიკული თემატიკის, კერძოდ, აპელატიურ-ინტერროგატიული წინადადებების, გამოყენების დაუფლებას; თემასთან დაკავშირებული ზეპირი ქმედებისა და წერითი უნარების განვითარებას.

ექსპერიმენტმა წარმოაჩინა ის კეთილმყოფელი ურთიერთზეგავლენა, რომელსაც ერთი ენა ახდენდა მეორეზე ენობრივი ტრანსფერირების მომენტის გაცნობიერებული თუ ინტუიტური გამოყენების გზით. მიღწეული შედეგები სრულყოფილადაა წარმოდგენილი და შეფასებული პუბლიკასიის დასკვნით ნაწილში.

შენიშვნა: წინამდებარე მოხსენება შესულია სტატიის სახით საერთაშორისო ელექტრონულ კრებულში „რუსული ენა და ლიტერატურა მსოფლიო კულტურის სივრცეში“. (იხ. ანალოგიური ტექსტი: პუნქტი 1.2 პუბლიკაციები უცხეთში).

12. რუსული და ინგლისური სამეცნიერო-ტექნიკური სათაურების შეპირისპირებითი ანალიზი ცხადყოფს უნივერსალური სასათაურო კონსტრუქციათა რიგირს არსებობას რომლებიც ქმნიან სასათაურო სინტაქსის სპეციფიკას. რუსულ და ინგლისურ ენებში არსებობენ კონსტრუქციები, რომლებიც დაკავშირებული არიან მათ გრამატიკულ სტრუქტურებთან და რომლებიც ქმნიან გარკვეულ სირთულეებს თარგმანის დროს. ენათშორისი შესაბამისობათა დადგენის ჭრილში გამოიყოფა კონსტრუქციები, რომლებსაც აქვთ მუდმივი შესაბამისობა თარგმანის ენაში და ასევე კონსტრუქციები, რომლებსაც გააჩნიათ ვარიანტული და ოკაზიონალური ექვივალენტობა.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	სამეცნიეროპროექტი "რუსული ბიზნეს-კომუნიკაციის სამეტყველო კულტურა და ქართულ-რუსული კულტურათშორისი ურთიერთობა „	თსუ ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორი ნათელა ჭოხონელიძე	**დავით გოცირიძე,** ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სლავისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პროფესორი;	უცხოური გრანტი: ფონდ: »Русский мир» გრანტი
2	„Strategische Partnerschaften“ *Regionalkompetenz. Dialog. Integration.*	იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის პროფესორი ირინა ვან ლეევენი	**დავით გოცირიძე,** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სლავისტიკის სსი პროფესორი (თანახელმძღვანელი)	DAAD
3	„პოლონური კავკასია“. ისტორია და პერსპექტივები“	მარიამ ფილინა	პროფ. მარიამ ფილინა, პროფ. დ.თვალთვაძე პროფ. დ.ოსოვსკა (პოლონეთი), პროფ. დ.გოცირიძე, პროფ. მ.თუხარელი,	პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პროექტის ფარგლებში, მსოფლიო თანამეგობრობა „პოლონია“-ს და საქართველოში პოლონეთის საელჩოს მხარდაჭერით და ეძღვნება კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირ „პოლონია“-ს დაარ-

			პროფ. მ.ალექსიძე, პროფ. ი.ძნელაძე	სებიდან 20 წლის-თავს.
26	მამუკა დოლიძე	ქრისტიანული მოტივები უილიამ ფოლკნერის შემოქმედებაში (ინგლისურ ენაზე)	ამერიკის კათოლიკური უნივერსიტეტის სემინარის (აგვისტო-სექტემბერი, 2015) მასალები	აშშ, ვაშინგტონი ამერიკის კათოლიკური უნივერსიტეტი, ფილოსოფიურ ღირებულებათა კვლევის საბჭო	7 გვ
27	ნ. კვარაცხელია	ლუდვიგ ვიტგენშტეინის ერთი დებულე-ბის შესახებ	პროფ. მამუკა ბიჭაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული	გადაცემულია დასაბეჭდად 2015 წლის დეკემბერში	10
28	რ. გორდეზიანი	შიფრის ენა კ. იასპერსის პერიხონტოლოგიაში	თსუ, იუნესკოს პროგრა-მის ფარგლებში ფილოსო-ფიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. მერაბ მამარდაშვილი 85 19-20 ნოემბერი		
29	რ. გორდეზიანი	ადამიანის არსი და თავისუფლება	რეგიონალური კონფე-რენცია,		

		გერმანულ ეგზისტენციალიზმში	მიძღვნილი თამაზ ბუაჩიძის 85 წლისთა-ვისადმი 27 აპრილი		
30	ნ. გულიაშვილი	ეროვნული საკითხი არჩილ ჯორჯაძის შემოქმედებაში	ქ. თბილისი „უნივერსალი“	8. გვ.	
31	ნ. გულიაშვილი	რომანტიზმის ესთეტიკა	ქ. თბილისი „უნივერსალი“	13. გვ.	
32	ნ. გულიაშვილი	დასავლური და აღმოსავლური ესთეტიკის შედარებითი ანალიზი	ქ.თბილისი „უნივერსალი“	10.გვ.	
33	ნ. გულიაშვილი	ნიჰილიზმი სამუელ ბეკეტის შემოქმედებაში	ქ. თბილისი „უნივერსალი“	12.გვ.	

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. ანთიმოზ ივერიელი დაფასებას და აღიარებას არა მხოლოდ რუმინელი ხალხის, არამედ სრულიად მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის მხრიდანაც იმსახურებს. წმინდა ანთიმოზ ივერიელის მოღვაწეობა არ შემოისაზღვრებოდა, მხოლოდ წმინდა სამოძღვრო, მთარგმნელობითი ან სასტამბო საქმიანობით. მართლმადიდებლური საეკლესიო კანონიკის ღრმა მცოდნე ანთიმოზი გვევლინება, როგორც დიდი ღვთისმეტყველი, აქტიური პოლიტიკური მოღვაწე და შორსმჭვრეტელი მოაზროვნე, რომელიც დღესაც არ კარგავს თავის აქტუალობას.

საქართველოში ანთიმოზ ივერიელის მოღვაწეობის შესწავლა შეიძლება დაიყოს სამ ეტაპად: ყოველი ეპოქა გარკვეულ მსოფლმხედველობრივ წანამძღვრებს ემყარება და სამყაროსადმი მიდგომის ახლებურ წესს აყალიბებს. ასეა ახალი დროის მეცნიერებაც, რომელსაც გამოკვეთილი მახასიათებელი ნიშნები გააჩნია:

ეს ის ეპოქა, როდესაც მოღვაწეობა მოუწია დიდ თეოლოგს და მოაზროვნეს წმინდა ანთიმოზ ივერიელს. ეს ის ეპოქაა, რომელიც ცნობილია, როგორც ახალი დროის განმანათლებლობის პერიოდი.

განმანათლებლობის იდეა არის გონების სუვერენობის პრინციპი. გონება გათავისუფლდა ღმერთის, ტრადიციის, ავტორიტეტის და სხვა გარე გავლენებისგან.

წმ. ანთიმოზ ივერიელის ქადაგებებიდან ამ ეტაპზე გამოვყოფდით ქადაგებას,- “ეს ვთქვი, როდესაც გავხდი მიტროპოლიტი”. და რატომ? ეს არის „პირველი დღე” - რაც ძალზედ მნიშვნელოვანია, - როდესაც უნგრეთ-ვლახეთის მიტროპოლიტი წარსდგა, როგორც რჩეული მოძღვარი რუმინელი ხალხის წინაშე.

მისი სწავლებანი ემყარება: 1. ღვთის რწმენას და ეკლესიის

მორჩილებას. 2. მორჩილება მოითხოვს თვალთმაქცობისა და მზაკვრობისაგან განთავი-სუფლებას. (სიღრმისეულად უნდა იქნეს გაანალიზებული თვალთმაქცობის ფენომენი სახარებისეული მეზვერისა და ფარისევლის იგავის საფუძველზე). 3. სულიწმინდის მადლით გონების განათება, თავისუფლების გაცნობიერება. 4. ლოცვის ძალა და მისი მნიშვნელობა.

2.სოკრატე და ჰაიდეგერი: ადამიანის ღირსების დაფუძნება თანამედროვე ადამიანის ცხოვრების მიზანია თავისუფლება, კეთილდღეობა, რაც გულისხმობს წარმატების, ძალაუფლებისადმი ნების, სიმდიდრის კულტს. მერიტოკრატია კი მიჩნეულია ადამიანის შეფასების კრიტერიუმად, რომელიც ეფუძნება პრაქტიკულ სიბრძნის პრაგმატულობას და ინტელექტუალობის კოეფიციენტს,რაც მოქმედების პრაქტიკული მიზანშეწონილობით იზომება. მერიტოკრატია ეფუძნება კრიტიკულ აზროვნებას და არა ყოფიერებაზე აზროვნებას. ადამიანის ადამიანურობა მის ღირსებაში მდგომარეობს, რომელიც ემყარება ყოფიერებაზე აზროვნებას.ადამიანი ყოველთვის ეძებდა ღირსეული ყოფიერების შესაძლებლობის დასაბუთებას, რადგან იგი იყო ადამიანურობის, პიროვნულობის, თავისუფლების საფუძველი.ამიტომ ხელისუფლებას ყოველთვის ეშინოდა ღირსების და ებრძოდა მას.

ადამიანის ღირსების თეოლოგიური დაფუძნების თანახმად ადამიანი არის ღმერთის ხატი და მსგავსი,რაც მისი ღირსების საფუძველია.

ადამიანის ღირსების სეკულარული დაფუძნების თანახმად ადამიანის ღირსება მის უნიკალურობას და ადამიანის უნარებს ეფუძნება. ესენია: თავისუფლება, პიროვნულობა, ზნეობრიობა, გონიერება. ადამიანი სამყაროს აუცილებელი ელემენტია და არის საკუთარი ყოფიერების შემქმნელი და განმკარგავი.

ადამიანის ღირსების მეტაფიზიკური დაფუძნების თანახმად ადამიანის ღირსება ემყარება ადამიანის უნარს აზროვნებდეს ყოფიერებაზე, მეტაფიზიკაზე, ღმერთზე. ღირსება ადამიანის მეტაფიზიკური მარკერია და არის უკვდავი სულის სეკულარული ვერისია. სოკრატეს და ჰაიდეგერის თანახმად, ღირსება ადამიანის მეტაფიზიკური და ონტოლოგიური სტატუსის გამომხატველია და აფუძნებს მის თავისუფლებას და ზნეობრიობას.

3. გლობალური ტარნსფორმაციები და გამოწვევები აშშ-სთვის თანამედროვე სამყაროს ნიშანია: ცივი ომის დასასრული და გლობალური ტრანსფორმაციები. ეს ახალ გამოწვევების წინაშე აყენებს აშშ-ს, როგორც მსოფლიო ლიდერს. აშშ-ს მიზანია საკუთარი გეოპოლიტიკური ლიდერობის შენარჩუნება, როგორც დემოკრატიული ცივილიზაციის ლიდერი და მსოფლიო სტაბილურობის გარანტი. დღეს ბრძოლა გეოპოლიტიკური ლიდერობისათვის გადაწყდება აზიაში, რადგან აზია ხდება გლობალური პოლიტიკური დაპირისპირების ცენტრი. მომავლის გლობალური პრობლემებია ნავთობის, გაზის, წყლის, საკვების დეფიციტი. სახელმწიფოთა შორისი ურთიერთობების რომელი ტიპი: კოლონია, გავლენის სფერო, ალიანსი, საერთაშორისო გაერთიანება გაბატონდება დამოკიდებულია მსოფლიოს პოლიტიკურ მდგომარეობაზე. აშშ-ს გეოსტრატეგიული ამოცანაა 2025 წლისათვის ლიდერობის შენარჩუნება და ჩინეთის ექსპანსიის შეჩერება. ეს გულისხმობს სამხედრო, ეკონომიკური, მეცნიერული

და კულტურული უპირატესობის შენარჩუნება და განმტკიცება. მან მიიღო „შუა აღმოსავლეთის დიდი პროექტი“-ის სახე, რაც ამ რეგიონის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სახელმწიფოებრივ ტრანსფორმაციას გულისხმობს,რაც უზრუნველყოფს კაპიტალის თავისუფალ მოძრაობას და ენერგეტიკული რესურსების თავისუფალ წვდომას და ტრანსპორტირების გზების უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ამისათვის „შეერთებული შტატების თავდაცვის ეროვნულ სტრატეგიაში“(2002)გაცხადებულია, რომ აშშ იტოვებს ნებისმიერ ქვეყანაზე შერჩეულ დროს,ადგილზე და ფორმით წინასწარი თავდასხმის უფლებასა და განზრახვას. აშშ-თვის ამ ამოცანის განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია ქვეყნის შინაგანი სტაბილურობის,მეცნიერულ-ტექნიკური განვიტარების და ცხოვრების დონის შენარჩუნება.

4. კომპიუტერთან მჯდომი სოკრატე შესაძლებელია თუ არა დღეს სოკრატე როგორია ინტელექტუალური მოღვაწეობის სტილი ინტერნეტ სამყაროში? სოკრატე როგორც ჭეშმარიტი ცოდნის მაძიებელი და მასზე ზნეობის დაფუძნების მსურველი? რა არის დღეს ინტელექტუალის მისია: ჭეშმარიტების ძიება, ზნეობის დაფუძნება, გონივრულობის გარანტად ყოფნა? სოკრატემ ისევ შეიძლება განაცხადოს: “მე ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი”. სოკრატეს პარადოქსია, რომ სწორედ ცოდნის ბატონობის დროს თქვა, “რომ მე ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი” და სწორედ სოკრატე აღიარეს ადამიანთა შორის ყველაზე ბრძენ ადამიანად. მან დასვა საკითხი: რა არის ცოდნა? რას ნიშნავს როდესაც ვამბობთ მე ვიცი? თანამედროვეობის მეორე გენიოსი, მ. ჰაიდეგერი, ამბობს, რომ ადამიანი აღარ აზროვნებს. მთავარის ცოდნა შეიცვალა ბევრის ცოდნით. რა არის ინტელექტუალის როლი დღეს: სოკრატე არის მაგალითი ინტელექტუალის და საზოგადოების, ინტელექტუალის და ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულების სახე. მან შექმნა ამ ურთიერთობის პარადიგმა. თუ რამდენად მნიშვნელოვანია და რამდენად სახიფათოა ნამდვილად თავისუფალი ჭეშმარიტი აზროვნება ხელისუფლებისათვის. შესაძლებელია თუ არა სოკრატეს ფენომენი პოსტმოდერნულ საზოგადოებაში, ანუ როგორია ინტელექტუალის, თავისუფალი აზროვნების როლი თანამედროვეობაში იყოს ჭეშმარიტების მაძიებელი, ზნეობრივი გმირი, რომელიც საზოგადოებას მოუწოდებს თუ როგორ იცხოვროს ჭეშმარიტი ღირებულებების მიხედვით თუ იყოს ფხიზელი ანალიტიკოსი, რომელიც აჩვენებს რეალობის შეულამაზებელ სახეს. იგი არ მოუწოდებს, არამედ აჩვენებს რეალობას, მის არაგონივრულობას და თვითონ ადამიანმა აირჩიოს. უნდა ითქვას, რომ რეალობის შეულამაზებელი სახით დანახებაც არ არის სრულიად უხიფათო.

5. ნაშრომის მიზანია, *მე*-ს (*თვით*-ობის) და *სხვის* დიალექტიკის ანალიზი გეორგიოს გემისტოს პლეთონის სიქველეთა თეორიის კონტექსტში. ამისთვის განვიხილავთ სიქველეთა შესახებ, ერთი მხრივ, პლეთონის, მეორე მხრივ კი მისი ნეოპლატონიკოსი წინამორბედების თეორიებს შორის ურთიერთმიმართებას. შეკითხვა, რომელზეც ვცდილობთ პასუხი გავცეთ, შემდეგია: რამდენად მნიშვნელოვანი იყო პლეთონის სიქველეთა თეორიაში *სხვის* როლი ნამდვილი *მე*-ს მოსაპოვებლად? პლეთონის თავისებურება

(ნეო)პლატონურ კონტექსტში ის იყო, რომ ის არ აღიქვამდა სხეულს ადამიანის *თვით*-ობის უარყოფით ელემენტად და დიდ ყურადღებას უთმობდა ადამიანის კონკრეტულ სოციალურ აქტივობას, რაშიც ადამიანი, მისი აზრით, ყველა თავისი შესაძლებლობით, როგორც სულიერით, ასევე სხეულებრივით, უნდა ყოფილიყო ჩართული. შესაბამისად, პლეთონისთვის ადამიანის *სხვაობა* თავისთავში და, აგრეთვე, ადამიანის მიმართება *სხვა* ადამიანებთან გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ნეოპლატონიკოსებისთვის და, შეიძლება ითქვას, დიდწილად თავად პლატონისთვისაც კი. ამ კუთხით თუ შევხედავთ პლეთონის ფილოსოფიას და, კერძოდ, სიქველეთა შესახებ მის თეორიას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი თეორია შეიცავდა არა მხოლოდ ანტიკური პლატონიზმის თავისებურებებს, არამედ, ნებით თუ უნებლიეთ, ადამიანის როგორც სულისა და სხეულის ერთობის ქრისტიანულ გაგებას. ამავე დროს, ეს იყო ერთგვარი მომზადება ადამიანის, როგორც სულისა და სხეულის ჰარმონიული ერთობისა და *vita activa*-ს პოზიტიური – რენესანსული გაგებისთვის.

6. ნაშრომში განხილულია პლატონის "ნადიმის" პლოტინისეული ინტერპრეტაციის სხვადასხვა ასპექტები მისი III 5 ენეადის საფუძველზე. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია სიყვარულის როგორც სულის ენერგიის გაგებაზე, რაც განსაზღვრავს სულისა და გონების ურთიერთმიმართებას როგორც ადამიანურ დონეზე, ასევე კოსმიურ და ზეკოსმიურ სფეროებში.

7. ნაშრომის მიზანია თვით-ობისა და სხვაობის როლის ანალიზი დამასკიოსის – ათენის პლატონური აკადემიის უკანასკნელი დიადოხოსისა და ანტიკურობის უკანასკნელი დიდი (ნეო)პლატონიკოსის ფილოსოფიაში. ნაშრომში განხილულია თვით-ობისა და სხვა-ობის გარკვეული ასპექტები დამასკიოსის ონტოლოგიაში, ფსიქოლოგიასა და ეპისტემოლოგიაში, იმდენად, რამდენადაც ისინი ურთიერთდაკავშირებულნი არიან არსისა და ფილოსოფიის ამ სამ სფეროში. კვლევისას ყურადღებას ვამახვილებთ სხვა-ობის როლსა და მნიშვნელობაზე თვით-ობისა და იდენტობის განსაზღვრებაში დამასკიოსის ფილოსოფიის სამივე ზემოთ ხსენებულ სეგმენტში. საქმე ის არის, რომ დამასკიოსისთვის, შესაძლოა, უფრო მეტად ვიდრე ანტიკურობის სხვა ნეოპლატონიკოსებისთვის, სხვა / სხვაობა ძალიან მნიშვნელოვანი ცნება იყო არა მხოლოდ თავისთავად და თვით-ობის ცნებასთან მიმართებაში, არამედ, მეტიც, ის "ჩართული" იყო თვით-ობისა და იდენტურობის განსაზღვრებაშიც. საზოგადოდ, ვასკვნათ, რომ დამასკიოსის ფილოსოფიის ყველა მნიშვნელოვან შტოში (ონტოლოგია, ფსიქოლოგია და ეპისტემოლოგია) სხვა / სხვაობა არსებით როლს თამაშობდა პირველი ჰიპოსტასის, ადამიანის სულისა და შემეცნების ხასიათის თვით-ობისა და იდენტობის განსაზღვრაში.

8. სტატიაში განხილულია პლატონისეული ეროსის ონტოლოგიურ-გნოესეოლოგიური ინტერპრეტაცია პლატონის მიერ. ვცდილობთ გავარკვიოთ, რას გულისხმობს პლოტინის მიერ ეროსის როგორც "სულის თვალის" განსაზღვრა და, თუ ეროსი "სულის თვალია", მაშინ რას ხედავს ან ვერ ხედავს ეს თვალი (ა) ინდივიდუალური სულების, (ბ) კოსმიური სულის (და, აგრეთვე,

პლანეტების) და (გ) ღვთაებრივი სულის (როგორც ჰიპოსტასის) შემთხვევაში? ამ კითხვებთან დაკავშირებით განვიხილავთ ეროსის როგორც პოროსისა და პენიას (სიჭარბე-ნაკლებობა) შთამომავლად მიჩნევის ფილოსოფიურ შინაარსს. გარდა ამისა, განვიხილავთ პლოტინის შეხედულებას ფილოსოფიასა და მითზე: რამდენად სრულყოფილად შეუძლიათ თუ არ შეუძლიათ მათ, პლოტინის აზრით, ჭეშმარიტების წვდომა?

9. სტატიაში განხილულია სიკვდილის ინტერპრეტაციები, მოცემული პორფირიოსის (III ს. ნეოპლატონიკოსი) მიერ მის ე. წ. "სენტენციებში". ძირითადად, გვაქვს სიკვდილის სამი სახე. აქედან ერთი ბუნებრივი სიკვდილია, ხოლო ორ შემთხვევაში სიკვდილი მეტაფორულად გაიგება: (ა) როგორც ფილოსოფოსის სიკვდილი, რაც ნამდვილ ცხოვრებას, ანუ სულის მიერ მიღწეულ ფილოსოფოსისთვის სანატრელ მდგომარეობას – სხეულისგან სიცოცხლეშივე გამიჯნვას გულისხმობს და (ბ) სულიერი სიკვდილი, როცა სული სხეულებრივ ვნებებს არის აყოლილი. პორფირიოსის განმარტებით, არ არის აუცილებელი, რომ ბუნებრივ სიკვდილს ე.წ. ფილოსოფიური სიკვდილი მოსდევდეს და პირიქით. სტატიაში ვცდილობთ, ამ შეხედულებისა და პორფირიოსის შემდგომ პლატონურ ტრადიციაში, ძველი ქართული და ბიზანტიური ტექსტების გათვალისწინებით, მისი ასახვისა და თავისებური ინტერპრეტაციის გაანალიზებას.

10. ამერიკულ ნეორეალიზმში ჯერ არ ფიგურირებს ცნება-პარაგიდმა. ხმარობენ რა ტერმინს-ფილოსოფოსობის სტილი, ისინი ფაქტობრივად საუბრობენ კოგნიტური კულტურის და ფილოსოფიური მენტალობის შეცვლაზე. მიუხედავად ნეორელისტების მიდგომის ცალმხრივობისა და რელატივიზმისა, უნდა აღინიშნოს ის დადებითი მომენტი, რომელიც გამოიხატება მათ მიერ პრინციპულად ახალი ფილოსოფიური ინსტრუმენტარიუმის შემზადებაში. იგულისხმება დესკრიპციის თეორია და ლინგვისტური ანალიზი. მათ დაასაბუთეს, რომ სპეკულაციები, რომლებიც ირრეალურს რეალურად აცხადებენ უნდა დასრულდეს, აუცილებლად გამოცხადდა ცნებათა შინაარსის მკაცრი ანალიზი და ენის გათავისუფლება ყველაფრისგან, რასაც არ აქვს რეფერენტი, ან მულტი სინონიმურია (მრავალი ლიგვისტური მნიშვნელობის მქონეა). ნეორეალისტები თვლიდნენ, რომ მათ შესძლეს ფილოსოფიის პროფესიონალიზაციის მოთხოვნილების დაფიქსირება. ესაა დასაწყისი „ლინგვისტური ბრუნისა"ფილოსოფიაში, რამაც საფუძველი ჩაუყარა ახალი „ანალიზის საუკუნეს". „ფილოსოფიური ენის" სახელწოდებით ცნობილი ეს პროექტი, რომელიც ფილოსოფოსების და ლინგვისტების გამორჩეული ყურადღების საგანი გახდა, თავის მრავალრიცხოვან ვარიაციებში გულისხმობდა რეალობის მეცნიერულ გააზრებას და დაფიქსირებას, ობიექტების კლასიფიკაციას და რეპრეზენტაციას იკონური სახის გამოთქმებში, რომლებიც, თავის მხრივ, რაოდენობრივად შესაბამისობაში მოვიდოდნენ ცნებების რაოდენობასთან. ამავე დროს, გამოთქმებს უნდა გამოეხატათ თვისებები და დაეფიქსირებინათ ცნება, ობიექტების ადგილი ენის იერარქიაში.

11. გონივრული ეგოიზმის ხედვის (ასევე ცნობილია უნივერსალური ეგოიზმის ეთიკური ხედვის სახელით) გამტარებლები იყვნენ ეპიკურე, სმითი, სპინოზა,ჰელვეციუსი, ჯონ ჰოსპერსი, ჯესი ქელინი, აინ რენდი. ისინი ცდილობენ ააგონ უნივერსალური მეტაეთიკური სისტემა, სადაც საკუთრივ ეთიკურ ქცევად ცხადდება პერსონული თვითინტერესით მოტივირებული ქმედება. თანამედროვე უნივერსალური ეთიკური ეგოიზმის აპოლოგეტი აინ რენდი საკუთარ პოზიციას უწოდებს რაციონალურ/გონივრულ ეგოიზმს. რენდის ფილოსოფიის ცენტრალური თემა ადამიანის პრობლემაა. ადამიანი რენდის განმარტებით არის გონიერი ეგოისტი. იგი თვითკმარი არსებაა, რომლის არსობრივი მდგომარეობა პერსონული ბედნიერებისაკენ სწრაფვაა; მისი მორალი კი პრაქტიკული ქცევის პროდუქტულ შედეგებთან შესაბამისობაში გამოიხატება. მისი არგუმენტი ამგვარად ჟღერს- რაციონალურ ადამიანთა თვითინტერესები არასდროს მოვა კონფლიქტში ერთმანეთთან, რადგანაც მათი ღირებულებები არსობრივად რაციონალურია. ეს ხედვა ნაივურიცაა და უტოპიურიც. კონფლიქტები თვითინტერესთა შორის უწყვეტად არსებობს და მუდმივად მოითხოვს გადაწყვეტას. გონივრული ეგოიზმის თანამედროვე ადეპტების ნააზრევში აღინიშნება ძირითად კონცეპთა -„უნდა“ და „მსურს“ აღრევა. მორალური რჩევა გაუქმებულია. ხშირ შემთხვევაში მორალური და არამორალური აღრეულია. პოზიციის დადებით მხარედ უნდა მოვიჩნიოთ პერსონული თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის წინა პლანზე წამოწევა.

12. გლობალიზაციისა და ტრანზიტობის ეპოქაში მართლმადიდებელი ეკლესიის მთავარ მიზანს თანამედროვე სამყაროსათვის მის წიაღში არსებული სულიერი ორიენტირის გახსნა წარმოადგენს. ამ გზაზე წმინდა მაქსიმე აღმსარებლის მემკვიდრეობის შესწავლა და სათანადო წარმოჩენა უმნიშვნელოვანესი შენატანს წარმოადგენს. ქრისტიანული მოძღვრება მის შრომებში უმაღლეს მწვერვალს აღწევს. დასავლეთში მაქსიმე აღმსარებლის შესახებ მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს, ქართულ აკადემიურ სივრცეშიც არაერთი საინტერესო კვლევაა ჩატარებული. მაგრამ მის სისტემურ და მრავალმხივ შესწავლას საფუძველი 2005 წელს ჩაეყარა. ამ წელს მისი უწმინდესობის სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია II- ის ლოცვა-კურთხევით ცაგერისა და ლენტეხის მთავარეპისკოპოსს სტეფანეს (კალაიჯიშვილი) ორგანიზებით მომზადდა და შედგა წმინდა მაქსიმე აღმსარებლი ცხოვრებისა და მოღვაწეობისაადმი მიძღვნილი პირველი საერთაშორისო საღვთისმეტყველო კონფერენცია. სტატიაში გაანალიზებულია მეხუთე კონფერნციის მუშაობა, და წმინდა მაქსიმე აღმსარებლის მონასტერში აღმოჩენილი წმინდა ნაწილების იდენტიფიკაციის შესახებ კონფერენციის მონაწილეთა მიერ გამოტანილი შემაჯერებელი დასკვნები.

14. კვლევა მიზნად ისახავდა კულტურული ეთოსში პიროვნების საზრისის გახსნას. მისი, როგორც კულტურული სუბიექტის, ზნეობრივი პარადიგმის დახასიათებას. ემპირიული მასალა, რომელიც საფუძვლად დაედო ჩვენ ანალიზს ქართული,

კონკრეტულად სვანური მითოსშემოქმედებაა, ამ მასალის საფუძველზე ნაცადია მითოსური დისკურსის ონტოგენეზის გახსნა და მისი ასახვა ყოველდღიურ ყოფაში., კვლევა ასევე ფოკუსირდება ამ ეთნოსის მატარებელი პიროვნების, ე.წ. კულტურ-ინდივიდის მახასიათებელ ნიშნებზე და მისი ქცევითი აქტების ანალიზზე. კვლევის შედეგად დადგინდა:

- ყოველი კულტურული კონფიგურაცია უნიკალური ისტორიული პროცესის შედეგია.
- ლაპარაკი ამა თუ იმ საზოგადოების კულტურის განვითარების დონეზე აზრს მოკლებულია.
- ეთნოსის მატარებელი პიროვნება კულტურ-ინდივიდია.
- ყოველ კულტურულ კონფიგურაციაში დომინირებს ერთი ტიპი, რომელიც ყველაზე მეტად პასუხობს ამ კულტურის სულს. იგი მოცემული კულტურის მორალურ ნორმასა და ფსიქიკურ ტიპს შეესაბამება.

15. სტატიაში გაანალიზებულია სოციოლოგიურად ორიენტირებული ფუტუროლოგიური დისკურსი. სუპერ-ინდუსტრიული სამყაროს მიერ შემოთავაზებული მომავლი გვკარნახობს ცხოვრების სტილის, შევცვალას. ეს აუცილებლობით მოყვება სუბკულტურათა თვისებრივი ცვლა, ახალი კომუნიკაციური სისტემების დაფუძნება ახალი ადამიანური ურთიერთობების მოდელს ქმნის. მომავლის სამყაროს გამოწვევევი შესაძლებელია აცილებულ იქნეს განათლების ახალი პარადიგმის შემოტანით. კრიტიკულად განხილულია ფუტუროლოგიური მოდელის ძირითადი მახასიათებლები, დასაბუთებულია, რომ პოსტ-პოსტ-ინდუსტრიული, ანუ სუპერ-ინდუსტრიული ეპოქის ფარგლებში ტრადიციული მორალური ღირებულებების ნგრევის პირობებში დასმული ამოცანების გადაჭრა ჩიხში ექცევა.

16. სტატიაში კრიტიკულად გაანალიზებულია ამერიკული ლიბერტარიანიზმის ფილოსოფიური საფუძვლები და ძირითადი მახასიათებლები. დასაბუთებულია, რომ მეტაეთიკური პრობლემების ანალიზი წყდება ცალმხრივად რელატიური პოზიციებიდან. ჩატარებულია შედარებითი ანალიზი ობიექტივისტური ფილოსოფიის ძირითადი მეტაფიზიკური აქსიომებსა და ლიბერტარიანიზმის ბაზისურ კონცეპტებს შორის. გამოტანილია დასკვნა, რომ დღევანდელი გადასახედიდან ლიბერტარიანელებსა და ობიექტივისტებს შორის საერთო რჩება თავისუფლების უზენაესობა. თუმცა სრული თანხმობა ამ ორ ფილოსოფიურ მიმდინარეობას შორის ვერ მოხერხდა, რაც ჩემი აზით განპირობებული იყო ერთის მხრივ ლიბერტარიანული ფილოსოფიის პოლიტიკური მიდრეკილებითა და მისი სტრუქტურული დაქსაქსვით.

18. გადმოცემულია ანალიტიკური ფილოსოფიის ტრადიციის დამკვიდრების გზები ქართულ ფილოსოფიურ სინამდვილეში, ნაჩვენებია მისი მნიშვნელობა მე-20 საუკუნის ფილოსოფიური აზროვნებისათის და ქართული კულტურისათვის.

19. გაანალიზებულია ანთიმოზ ივერიელის მოღვაწეობის ერთ-ერთი ფუნდამენტური რაკურსი დასავლური განმანათლებლობის კონტექსტი. სადაც ის დასავლურ რაციონალიზმს ავსებს ერთგვარი თეოლოგიური დისკურსის შინაგანი ღიაობით განმანათლებლობის

ტრანსნაციონალურ პარამეტრებთან.

20. განხილულია 21-ე საკუნეში ტექნოლოგიების სწრაფი განვითარებისა და შესაბამისად სწრაფცვალებადი გარემოს გავლენა პოლიტიკური სისტემის საფუძვლებზე და ბუნებითი უფლებების კონცეფციაზე, კონსტიტუციურ წესრიგზე და ა.შ. წარმოდგენილია ადამიანის, როგორც თვითმოდელირებადი არსების კოცეფციის სხვადასხვა ასპექტები.
21. პირველად ქართულ ენაზე ითარგმნა მიშელ ფუკოს უმნიშვნელოვანესი ტექსტი „მარქსი, ნიცშე, ფროიდი“, სადაც მოცემულია თანამედროვე ჰერმენევტიკის სათავეების ანალიზი.
22. ნარკვევში გაანალიზებულია თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მეთოდოლოგიის საწყისები საერთოდ პოსტმოდერნული აზროვნების ამოსავალი პრინციპები, ფსიქოანალიზის, ყალბი ცნობიერების ცნების და დისკურსული ანალიზის მეთოდოლოგიური მნიშვნელობა ჰუმანიტარული მეცნიერებებისა და ფილოსფიისათვის.
23. პოსტმოდენული კულტურის ძირითადი მახასიათებლების მიხედვით: რაგმენტულობა, მოზაიკურობა, დისკრეტულობა, პლურალიზმი , ინტერტექსტუალობა, გაანალიზებულია ტანამედროვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ნაჩვენებია ტელევიზიის, როგორც ტექნოლოგიური ინსტრუმენტის როლი თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში მისი მსოფლაღმის და რეალობის შექმნის პროცესში. პოსტმოდერნში ტელევიზიის მეშვეობით გამოსახულება წარმოსდგება როგორც პირველადი რეალობა, როგორც რეალობის სიმულაკრი.
24. რუსული რელიგიური ფილოსოფია სპეციფიკური მოვლენაა, მას სეიზლება ანალოგიც კი ვერ დაეძებნოს სკაცობრიო აზროვნებასი. ისი ტავისებურება განპირობებულია სხვა და სხვა მიზეზებიტ, სტატიაში სწორედ ამ მიზეზებზეა საუბარი, რუსი ფილოსოფოსები ევროპული ფილოსოფიური აზრის და რუსული სლავოფილური იდეების გადაკვეთის პროდუქტია.
25. პოსტსაბჭოთა საქართველოში ღირებულებათა ტრანსფორმოციის მტკივნეული პროცესი მიმდირეობს, ერთის მხრივ ქართული ცხოვრების წესი ცდილობს აღადგინოს ტრადიციული ქართული ღირებულებები და გათავისუფლდეს კომუნისტური მენტალობისაგან, ამავე დროს სამყაროში მიმდინარებს გლობალიზაციური პროცესები, რომელიც თავის მხრივ ეროვნულ ღირებულებების გადაფასებას იწვევს სახეზე გვაქვს ღირებულებათ კონფლიქტი რაც ღრმა ფილოსოფიური ანალიზის საგნად იქცევა
26. სტატიაში განხილულია უილიამ ფოლკნერის რომანები - „ ხმაური და მძვინვარება „ და „ აბესალომ, აბესალომ“, ამ ლიტერატურულ საფუძველზე ნაჩვენებია ფოლკნერის „ ცნობიერების ნაკადის „ მიმართება ქრისტიანულ თეოლოგიასთან.
27. სტატია ეხება ლუდვიგ ვიტგენშტეინის ერთი ცნობილი დებულების: „ფილოსოფია არის ბრძოლა ჩვენი გონების მონუსხვის წინააღმდეგ ჩვენივე ენის საშუალებით”. აგრამ ადამიანის არსება სწორედ ამ მონუსხულობაშია. ნივთებით მხოლოდ ცხოველები ინუსხებიან. ილოსოფიაც ამ მონუსხულობის ერთ-ერთი ნაყოფია.
28. შიფრის ენა კ. იასპერსის პერიხონტოლოგიაში ნაჩვენებია ადამიანის

ყოფიერების ღმერთამდე ამაღლების შინაგანი პროცესი. იასპერსის აზრით ერთეული ადამიანი, პიროვნება უნიკალური სუბიექტური გზით-შიფრით აზროვნებით აღწევს უფალთან იდუმალ კავშირს, შინაგან ექსისტენციალურ ამაღლებულ კონტაქტს.

29. ადამიანის არსი და თავისუფლება გერმანულ ეგზისტენციალიზმში გაანალიზებულია.
30. სიცოცხლის არსის ფილოსოფიურ ანალიზს ა.ჯორჯაძე XX საუკუნის დასაწყისის ბიოლოგიაში გავრცელებული შეხედულებების გათვალისწინებით და მათი კრიტიკული შეხედულებების გათვალისწინებით და მათი კრიტიკული განხილვით აწარმოებს. სიცოცხლის თემას აგრძელებს და აკონკრეტებს მაშინაც, როცა იგი განიხილავს ეროვნულ საკითხს. საქმე იმაშია, რომ იმის გამორკვევის შემდეგ, თუ რას წარმოადგენს ერი როგორც სიცოცხლის სოციალური ფორმა და როგორც ადამიანთა სოციალური ერთობის უარსებითესი გამოვლენა, აუცილებელი ხდება პასუხის გაცემა კითხვაზე ერის, როგორც ასეთის, მომავალთან დაკავშირებით.
31. რომანტიზმი, ახალი მხატვრული მიმართულებაა, მხატვრული პროცესის ახალი ეტაპი, რომანტიკულმა ცნობიერებამ კულტურის ისტორიაში მთელი ეპოქა შექმნა. მან საფუძველი არა მარტო ახალ მხატვრულ-ესთეტიკურ სტილს დაუდო, არამედ ჩამოაყალიბა ფილოსოფოსობის განსაკუთრებული მეთოდი. რომანტიკოსები კვლევის საგნად ადამიანის გრძნობას აღიარებდნენ. შემოქმედება რომანტიკოსებთან ონტოლოგიურ მნიშვნელობას იძენს და ხელოვნება ადამიანური ყოფიერების უპირველეს გამოხატულებად იქცევა. რომანტიზმი მსოფლიო კულტურის განვითარების ახალ საფეხურს წარმოადგენს, ხოლო რომანტიზმის ესთეტიკა მთელი სიძლიერით გამოვლინდა გერმანელი ფილოსოფოსების შემოქმედებაში.

32.თანამედროვე სწრაფადცვალებად სამყაროში მიმდინარეობს გლობალიზაციის პროცესები, რაც თავის მხრივ კულტურათა შორის არნახულ მჭიდრო ურთიერთობებსა და შეღწევადობას განაპირობებს. ყალიბდება ეგრეთწოდებული მულტიკულტურული გარემო. ასეთ გარემოში ადაპტირებისა და გარკვევისათვის საჭიროა თვითოეული კულტურის სიღრმისეული შრეების გაგება. მხოლოდ მის საფუძველზე იქნება შესაძლებელი ამა თუ იმ კულტურის სპეციფიკის „მისი სულის“ ადექვატური აღქმა. ეს კი გვიბიძგებს იქიტკენ რომ არ მოვახდინოთ დასავლური აზროვნებისა და მსოფლმხედველობის ექსტრაპოლაცია არადასავლური კულტურების მიმართ. დასავლური მიდგომებიდან მაგალითად იაპონური ესთეტიკური პრინციპების ახსნა და გაგება არაფრის მომცემია და ვერ წვდება სამყაროს განხილვის იაპონურ წესს. ამის მიზეზი სინამდვილის აღქმის სამყაროს სურათის ორი განსხვავებული ევროპული და იაპონური მიდგომებით შეიძლება აიხსნას.

32. XX საუკუნის ხელოვნება ნიჰილისტური სულის გამოვლენას წარმოადგენს. ხელოვნების დეჰუმანიზაცია გამოისახა ადამიანზე უარის თქმით, ან როგორც ორტეგა ი გასეტი ამბობდა „...მოგუდული მსხვერპლის ჩვენებით...“ ევროპული თეატრის მოდერნისტული „განახლების“ ერა ექსპრესიონისტული თეატრით დაიწყო, რაც შემდგომ გაგრძელდა სიმბოლისტურსა და სიურეალისტურ თეატრებში. ანტიინტელექტუალური დეფორმაციული ტენდენციები, რაც ახასიათებდა თეატრს,

უკიდურეს ფორმამდე მივიდა „აბსურდის თეატრში.“

II. 2. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ვალერიან რამიშვილი	Socrates and Heidegger:Explanation of human dignity and virtue	International conference Global ethics and politics Abstracts of the papers(proceedings) Athens,Greece, 2015ჩაბარებულია დასაბეჭდად	12

ანოტაციები ქართულ ენაზე

1.სოკრატე და ჰაიდეგერი: ადამიანის ღირსების დაფუძნება თანამედროვე ადამიანის ცხოვრების მიზანია თავისუფლება, კეთილდღეობა, რაც გულისხმობს წარმატების, ძალაუფლებისადმი ნების, სიმდიდრის კულტს. მერიტოკრატია კი მიჩნეულია ადამიანის შეფასების კრიტერიუმად, რომელიც ეფუძნება პრაქტიკულ სიბრძნის პრაგმატულობას და ინტელექტუალობის კოეფიციენტს,რაც მოქმედების პრაქტიკული მიზანშეწონილობით იზომება. მერიტოკრატია ეფუძნება კრიტიკულ აზროვნებას და არა ყოფიერებაზე აზროვნებას. ადამიანის ადამიანურობა მის ღირსებაში მდგომარეობს, რომელიც ემყარება ყოფიერებაზე

აზროვნებას.ადამიანი ყოველთვის ეძებდა ღირსეული ყოფიერების შესაძლებლობის დასაბუთებას, რადგან იგი იყო ადამიანურობის, პიროვნულობის, თავისუფლების საფუძველი. ამიტომ ხელისუფლებას ყოველთვის ეშინოდა ღირსების და ებრძოდა მას.

ადამიანის ღირსების თეოლოგიური დაფუძნების თანახმად ადამიანი არის ღმერთის ხატი და მსგავსი,რაც მისი ღირსების საფუძველია.

ადამიანის ღირსების სეკულარული დაფუძნების თანახმად ადამიანის ღირსება მის უნიკალურობას და ადამიანის უნარებს ეფუძნება. ესენია: თავისუფლება, პიროვნულობა, ზნეობრიობა, გონიერება. ადამიანი სამყაროს აუცილებელი ელემენტია და არის საკუთარი ყოფიერების შემქმნელი და განმკარგავი.

ადამიანის ღირსების მეტაფიზიკური დაფუძნების თანახმად ადამიანის ღირსება ემყარება ადამიანის უნარს აზროვნებდეს ყოფიერებაზე, მეტაფიზიკაზე, ღმერთზე. ღირსება ადამიანის მეტაფიზიკური მარკერია და არის უკვდავი სულის სეკულარული ვერისია. სოკრატეს და ჰაიდეგერის თანახმად, ღირსება ადამიანის მეტაფიზიკური და ონტოლოგიური სტატუსის გამომხატველია და აფუძნებს მის თავისუფლებას და ზნეობრიობას.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდე ბის რაოდენ ობა
1	Lela Alexidze	Porphyry's Definitions of Death and their Interpretation in Georgian and Byzantine Tradition, in: Bochumer Philosophisches Jahrbuch fuer Antike und Mittelalter. Ed. M. Baumbach, B. Mojsisch, O. Pluta	18	Amsterdam/Philadelphia, Benjamin's	გვ. 48-73; იბეჭდება
2	Lela Alexidze	Matter in Ioane Petritsi's Philosophy, in: Epekeina. International Journal for Ontology. Ed. A. Le Moli		Palermo, CRF, Universita di Palermo	დაახლ 15 გვ., მიღებუ ლია დასაბეჭ დად
3	Lela Alexidze	Pletho on the Grades of Virtue: Back to Plato via Neoplatonism? – in: Byzantine Perspectives on Neoplatonism. Ed. S.		Berlin, de Gruyter	დაახლ. 22 გვ. გადაცე მულია დასაბეჭ დად

		Mariev. Series: Byzantinisches Archiv-Series Philosophica			
4	ს.მოდებაძე, ა.ყლიჯანიშვილი ხელ-ელი	პოსტმოდერნული მუსიკა	მუსიკალური განათლება ლონდონი გადც დასბ.	ლონდონი	9
5	A.Zakariadze	Preceding of UNESCO World 10 th. Conference BIOETHICS "Bioethical Controversies- Personal Dignity, Homo Economicus and Commercialization of Body"	Preceding of UNESCO World 10 th.Conference BIOETHICS	Jerusalem 2015	2
6	А. Закариадзе	Материалы международной конференции "Горе от ума в эпохе разума. Основные тенденции эпохи Просвящения в России"	Материалы международной конференции	Эреван. из-во Лусабац. 2015	293-304
7	მამუკა დოლიძე	ქრისტიანული მოტივები უილიამ ფოლკნერის შემოქმედებაში (ინგლისურ ენაზე)	ამერიკის კათოლიკური უნივერსიტეტის სემინარის (აგვისტო-სექტემბერი, 2015) მასალები	აშშ, ვაშინგტონი ამერიკის კათოლი-კური უნივერსიტეტი, ფილოსოფიურ ღირებულებათა კვლევის საბჭო	7 გვ

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. სტატიას საფუძვლად უდევს პლატონის "ფედონის" ცნობილი აზრის – ფილოსოფია არის ზრუნვა სიკვდილისთვის – ინტერპრეტაციების ანალიზი გვიანანტიკურ ფილოსოფიაში (ნეოპლატონიზმი: პლოტინი, პორფირიოსი), ლათინურ პატრისტიკაში (მაკრობიუსი), ძველ ქართულ ტექსტებში (ფილოსოფიის განსაზღვრებები ამონიოს ერმისისა და იოანე დამასკელის ძველ ქართულ თარგმანებში, აგრეთვე სიკვდილის განსაზღვრებები იოანე სინელის "კლემაქსის" ძველ ქართულ პოეტურ თარგმანში), ბიზანტიურ ფილოსოფიაში (მიქაელ ფსელოსი, გეორგიოს გემისტოს პლეთონი), აგრეთვე რენესანსის ფილოსოფიაში (პიკო დელა მირანდოლა, მიშელ დე მონტენი). სტატიაში მსჯელობის ძირითადი ამოსავალი პუნქტია პორფირიოსის მიერ მის ე.წ. "სენტენციებში" მოცემული სიკვდილის განსაზღვრებები, რომლებიც შემდგომ საფუძვლად დაედო აღნიშნულ საკითხზე საუკუნეთა განმავლობაში ფართო მსჯელობას პლატონურ

ტარდიციასა და მის ფარგლებს გარეთაც.

2. სტატიაში დეტალურად არის განხილული მატერიის საკითხი იოანე პეტრიწის ფილოსოფიაში. ძირითადი ყურადღება ეთმობა პირველი მატერიის (*prote hyle)* თემას, ამ მატერიის მიმართებას "მეორად" (ანუ მეტ-ნაკლებად განსაზღვრულ) მატერიასთან, აგრეთვე მატერიის მიმართებას ზენა საწყისებთან, მათ შორის უმაღლეს ერთთან. გარდა ამისა, სტატიაში განხილულია მატერიის საკითხი შესაძლებლობა-სინამდვილის დიალექტიკის კონტექსტში, აგრეთვე პლატონის დემიურგის პეტრიწისეული გაგება და მისი, როგორც ფიზიკური კოსმოსის შემოქმედის მატერიასთან მიმართების საკითხი.
3. სტატიაში დეტალურად არის გაანალიზებული ბიზანტიური ჰუმანიზმის მთავარი წარმომადგენლის, XIV-XV საუკუნეების უდიდესი პლატონიკოსის, გეორგიოს გემისტოს პლეთონის თეორია სიქველეების (*arete)* შესახებ, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ფილოსოფიის კონტექსტში. ნაშრომის მიზანია, გავარკვიოთ, რამდენად არის შესაძლებელი, პლეთონის თეორია სიქველეების შესახებ მივიჩნიოთ ნეოპლატონური გავლენებით განპირობებულად? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, პლეთონის სიქველეთა თეორიას ვადარებთ პორფირიოსის სიქველეთა თეორიას, გადმოცემულს მის 32 სენტენციაში. ჩემი აზრით, პლეთონის სიქველეთა თეორია გაცილებით უფრო მეტად იყო პრაქტიკულ ცხოვრებაზე (პოლიტიკასა და ეთიკაზე) ორიენტირებული, ვიდრე სიქველეების გვიანანტიკური გაგება, რომლებიც ძირითადად მჭვრეტელობით ("თეორიულ") ცხოვრებაზე იყვნენ ორიენტირებული.
4. სტატიაში განხილულია პოსტმოდერნული ხელოვნების ზირითაი მახასიათებლები მუსიკი მაგალითზე, შედარებულია კლასიკური, ავანგარდული და პოსტმოდერნული მუსიკა„ გაკეთებულია დასკვნა, რომ პოსტმოდერნულმა მსოფლაღქმამ განაპირობა ახალი მგრძნობელობის ჩამოყალიბება.
5. ბიოეთიკური დისპუტები და დილემები პოსტმოდერნული ეპოქის საზოგადოების ადამიანის, როგორც *Homo Economicus* , და გარემომცველი სამყაროს ანტაგონისტური კორელაციების რეფლექსიებს წარმოადგენს. ახალი ბიოტექნოლოგიების ბუმი, მათი ფართე გამოყენება არსობრივი გავლენის ახდენს ზნეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე, თვისებრივად ახალი ღირებულებებისა და შეფასებითი კრიტერიუმების ფორმირებაზე. პოსტმოდერნული დისკურსი ადამიანის პერსონული ღირსების და ადამიანური ცხოვრების კონცეპტებს თვისებრივად ახლებურად კითხულობს. დასაბუთებულია, რომ ახალი შინაარსით ივსება ცნებები „ადამიანი", „პერსონა", „ადამიანური ღირსება","ადამიანის სხეული." ადამიანის, როგორც გვარეობრივი არსების თვითიდენტიფიცირების საკითხი საფუძვლიან დაფიქრებას მოითხოვს, ხოლო ანთროპოლოგიური არსება ადამიანისა კითხვის ქვეშ დგება. ეს საკითხები თვისებრივად განსხვავებულია და მწვავე გამოწვევების წინაშე გვაყენებს. ადამიანის სიცოცხლის დასაწყისითა, თუ დასასრულით მანიპულირების ეთიკურ-სამართლებრივი ჭრილი განსაკუთრებული დისპუტის საკითხია.
6. პუბლიკაციაში გაანალიზებულია განმანათლებელთა ეპოქის დისკურსი. ის მახასითებლები, რომელთაც საზოგადოებრივ აზროვნებაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა: კონკრეტულად- მეცნიერების, რაციონალიზმისა და ემპირიული ფილოსოფიის აღმასვლა, განმანათლებლები მთელს ევროპაში იცავენ ისეთ ღირებულებებს,

როგორიცაა ტოლერანტობა, თავისუფლება და თანასწორობა, ამ ღირებულებებიდან გამომდინარე ყალიბდება ახალი „ბუნებრივი უფლებებისა“ და ხელისუფლების დაყოფის ცნებები, ზოგი მოაზროვნე ეჭვქვეშ აყენებს რელიგიურ იერარქიასა და წესებს, აკრიტიკებენ თავად-აზნაურებს, აბსოლუტურ მონარქიას და ახალ იდეებს უპირისპირებენ ობსკურანტიზმს. დასაბუთებულია, რომ რუსული განმანათლებლობა იმეორებს ევროპული განმანათლებლობის პარადიგმას. გრიბოედოვის ესთეტიკური აზრისის განხილვის შუქზე დგინდება, რომ ახალი ლიტერატურული გმირი აღარაა დაინტერესებული სულიერი მდგომარეობით, მას უკვე სოციალური, პოლიტიკური ფუნქცია აინტერესებს. ბედნიერება უკვე აღარაა შესწავლის საგანი, ის უკვე ცხოვრების წესია. ამგვარად იქმნება ახალი ლიტერატურა, რომელიც აღარ ეძებს მეტაფიზიკურ ახსნებს, არამედ ცდილობს შეათანხმოს გრძნობა, ბედნიერება და გონება. იცვლება მწერალის სტატუსი. მასში გაერთიანდა ფილოსოფოსი და მოაზროვნე.

7. სტატიაში განხილულია უილიამ ფოლკნერის რომანები - „ ხმაური და მძვინვარება „ და „ აბესალომ, აბესალომ“, ამ ლიტერატურულ საფუძველზე ნაჩვენებია ფოლკნერის „ ცნობიერების ნაკადის „ მიმართება ქრისტიანულ თეოლოგიასთან.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	დემურ ჯალაღონია	ილია ჭავჭავაძის სააზროვნო კონცეპტების ფენომენოლოგიური გააზრება-„იგავური” ენის საიდუმლო	თსუ, იუნესკოს პროგრამის ფარგლებში ფილოსოფიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. მერაბ მამარდაშვილი 85 19-20 ნოემბერი
2	დემურ ჯალაღონია	ილია ჭავჭავაძე და მართლმადიდებლობა	საქართველოს საპატრიარქო, თბილისის წმ. ილია მართლის ტაძარი. 7 ნოემბერი
3	დემურ ჯალაღონია	ომის ფენომენის ფილოსოფიური დისკურსი და ადამიანის ბუნება;	ამერიკისმცოდნეობის XVI ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია 14-15 მაისი.
4	დემურ ჯალაღონია	განსხვავებული სააზროვნო დისკურსის მომავალი (ისევ ათენი და იერუსალიმი)	რეგიონალური კონფერენცია, მიძღვნილი თამაზ ბუაჩიძის 85 წლისთავისადმი 27 აპრილი
5	დემურ ჯალაღონია	თანამედროვეობის კრიზისის დაძლევის „ახალი” უნივერსალური სინთეზის მომავალი	მე-9 საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია 24-25 ივნისი

6	ვალერიანი რამიშვილი	ესპანურენოვანი ემიგრაცია-თანამედროვე გამოწვევა შეერთებული შტატებისათვის	ამერიკისმცოდნეობის XV ყოველწლიური საერთა-შორისო სამეცნიერო კონფერენცია. თსუ. 15-17 მაისი. 2015
7	ვალერიანი რამიშვილი	წერილის და მეტყველების მიმართება ჟ. დერიდას გრამატოლოგიაში.	ამერიკისმცოდნეობის მე-16 საერთაშორისო კონფერენცია, თსუ, ამერიკის შესწავლის ინსტიტუტი და ამერიკის შესწავლის საქრთველოს ასოციაცია.სექცია: სოციალური საკითხები
8	ლელა ალექსიძე	სიყვარული როგორც გზა საკუთარი თავისკენ სხვის მეშვეობით (სიმპლიკიოსი, პლეთონი)	იუნესკოს პროგრამის ფარგლებშიფილოსოფიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფენენცია; „ფილოსოფია და დღევანდელობა“ 19-20.11.2-015
9	ა.ყულიჯანიშვილი	გლობალურის ძალადობა უნივერსალურზე	ივნისი, 2015, თბილისი, თსუ, ჰუმანიტარული ფაკულტეტის კონფერენცია
10	ა.ყულიჯანიშვილი	ჭეშმარიტების პროექტი და ხელოვნება	4-7სექტემბერი მესტია
11	ა.ყულიჯანიშვილი	ჭეშმარიტების პროექტის დასასრული	21-23 ნოემბერი თსუ
12	ა.ზაქარიაძე	21-ე საუკუნის განათლების ფილოსოფიის ამერიკული მარტრიცა-ჰო, თუ არა?!	17-18ივნისი თსუ
13	ა.ზაქარიაძე	„პაიდეიას ფილოსოფია’	ამერიკისმცოდნეობის XV ყოველწლიური საერთა-შორისო სამეცნიერო კონფერენცია. თსუ. 15-17 მაისი. 2015
14	ა.ზაქარიაძე	კულტურის ეთოსი და პირ-ოვნება (ეთიკური ესკიზი)	მე-9 საფაკულტეტო კონფერენცია 17-18 ივნისი 2015 ივნისი. თსუ.
			საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია“ კავკასიური ცივილიზაცია: ინტერდის-ციპლინარული კვლევები“ 6-10. სექტემბერი 2015 მესტია.

15	ა.ზაქარიაძე	„განათლების ფილოსოფია ღირებულებათა სეგრეგა-ციასა და ორგანიზებაზე.“	იუნესკოს პროგრამის ფარგლებში ფილოსოფოსის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია-„ფილოსოფია და დღევანდელობა“ (მერაბ მამარდაშვილი 85) 19-20 ნოემბერი . 2015. თსუ.
16	ა.ზაქარიაძე	„განათლების ფილოსოფიის პრაგმატული პერსპექტივა“	შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ყოველ-წლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია 1 დეკემბერი 2015. თბილისი
17	ი.ბრაჭული	ამერიკული პოლიტიკური სისტემის ტრანსფორმაციები	ამერიკისმცოდნეობის XV ყოველწლიური საერთა-შორისო სამეცნიერო კონფერენცია. თსუ. 15-17 მაისი. 2015
18	ი.ბრაჭული	უნივერსალური კონსენსუსის იდეა (პრობლეები და პერსპექტივები)	ამერიკისმცოდნეობის მე-16 საერთაშორისო კონფერენცია, თსუ, ამერიკის შესწავლის ინსტიტუტი და ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია. სექცია: ფილოსოფია,
19	ი.ბრაჭული	ფილოსოფია მოხუცთა თავშესაფარში	მე-9 საფაკულტეტო კონფერენცია 17-18 ივნისი 2015 ივნისი. თსუ.
20	ი.ბრაჭული	დიონისური მისტერიები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში	I საერთასორისო კონფერენცია არმოსალეთ საქართველოს მთიანეთის ისტორია და სიძველეები, 2015, გუდაური, 19 დეკემბერი
21	ი.ბრაჭული	აზროვნება და ძალაუფლება	თამაზ ბუჩიძის ხსოვნისადმის მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თსუ, 2015, 16 ოქტომბერი
22	მამუკა დოლიძე	თომას ჯეფერსონის და პატრიკ ჰენრის	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

		დაპირისპირება ამერიკულ ქრისტიანობაში	ამერიკათმცოდნეობის XV1 საერთაშორისო კონფერენცია , 14 – 16 მაისი 2015წ
23	მამუკა დოლიძე	ქრისტიანული მოტივები უილიამ ფოლკნერის შემოქმედებაში	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი შედარებითი ლიტერატურის ინსტიტუტის საერთაშორისო კონფერენცია. 19 – 20 ოქტომბერი 2015წ
24	მამუკა დოლიძე	ტელეოლოგიური ფენომენოლოგია	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოსოფიის ინსტიტუტი მერაბ მამარდაშვილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია 19 ნოემბერი 2015წ
25	ნაპო კვარაცხელია	პიროვნების ცნების გაგებისათვის	თსუ, იუნესკოს პროგრამის ფარგლებში ფილოსოფიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. მერაბ მამარდაშვილი 85 19-20 ნოემბერი
26	ნაპო კვარაცხელია	თამაზ ბუაჩიძე, როგორც ფილოსოფოსი	რეგიონალური კონფერენცია, მიძღვნილი თამაზ ბუაჩიძის 85 წლისთავისადმი 27 აპრილი
27	რევაზ გორდეზიანი	შიფრის ენა კ. იასპერსის პერიხონტოლოგიაში	თსუ, იუნესკოს პროგრამის ფარგლებში ფილოსოფიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. მერაბ მამარდაშვილი 85 19-20 ნოემბერი
28	რევაზ გორდეზიანი	ადამიანის არსი და თავისუფლება გერმანულ ეგზისტენციალიზმში	რეგიონალური კონფერენცია, მიძღვნილი თამაზ ბუაჩიძის 85 წლისთავისადმი 27 აპრილი

ა ნ ო ტ ა ც ი ე ბ ი

1. ილია ჭავჭავაძის სააზროვნო კონცეპტების ფენომენოლოგიური გააზრება- „იგავური” ენის საიდუმლო

ქართველი ერის ისტორიაში არ მოიძებნება ილია ჭავჭავაძის მასშტაბის პიროვნება. მისი მოღვაწეობის დიაპაზონი განუსაზღვრელად დიდია. იგი მარადიულად განცდადია, რომელმაც ქართული სინამდვილის სულიერ და

პრაქტიკულ სფეროებში განმსაზღვრელი როლი შეასრულა. დაუდეგარი ენერგიით და ახლის მაძიებლური გონებით მრავალი ახალი ინსტიტუცია დააფუძნა, რის საფუძველზეც მოახერხა საქართველოს სულიერი, კულტურული, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ფეხზე წამოყენება.

ილია ჭავჭავაძე იყო დიდი საზოგადო მოღვაწე, გამორჩეული მწერალი, განმანათლებელი, მხატვრული სიტყვის უბადლო ოსტატი, ბელეტრისტი, დრამატურგი, მთარგმნელი, „ენციკლოპედიური ცოდნის" მქონე პიროვნება, რომლის ინტერესები მეცნიერების მრავალ დარგს მოიცავდა: ფილოსოფიას, რელიგიას, სოციოლოგიას, ისტორიას, ხელოვნებას, ენათმეცნიერებას, პედაგოგიკას, ეკონომიკას, იურისპრუდენციას, სოფლის მეურნეობას. ის აგრეთვე კარგად ერკვეოდა ღვთისმეტყველებაში.

მან მოიცვა ყველა და ყველაფერი. მისი სააზროვნო ვექტორის გარშემო ტრიალებდა მაშინდელი მოწინავე საზოგადოება. განუზომელი გავლენით სარგებლობდა. არ დარჩა სფერო, მოსამართლეობიდან ბანკირობით დამთავრებული, რასაც მისი ძარღვიანი ფიქრი არ შეხებია. მან შესძლო დროითი საზღვრის დაძლევა, ის ცხოვრობდა ერთიან დროში, რაშიც აგვირისტებდა წარსულს, აწყმოსა და მომავალს. განბჭობდა და ეფერებოდა წარსულს, კრიტიკულად აანალიზებდა აწყმოს და ქმნიდა ახალს, მომავალს.

ერს დავიწყნოდა ქართული სახელმწიფოს წარმოშობის წინამძღვრები, ქართული ეროვნული ცნობიერების გამოღვიძების და კულტურულ-პოლიტიკური საქმიანობის ოქროს ხანა, "იმ დიდი ეროვნული მოღვაწეობის დასაწყისი, რამაც დიდგორის გამარჯვებამდე მიგვიყვანა".

ქართული სხეული და სული ერთდროულად მოეშვა. ერისთვის ფიქრი უცნაური ფენომენი გახდა. საქმისადმი წაყრუებამ, შურმა, გაუტანლობამ, პატივმოყვარებამ, მთვლემარობამ, ზნეობის დაცემამ, ისტორიულ პროცესთან კავშირი დაგვაკარგვინა. ერთგულება ორგულობით შეიცვალა, ზნეობრიობის დაცემამ საქართველო წელში გაწყვიტა. „სულ ძილი, ძილი, როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება".

აი, ასეთ საქართველოს მოევლინა ილია, რომელიც დაიბადა კავკასიონის ძირას, ყვარლის მთებთან ახლოს... არავინ იცოდა, თუ რა მოჰყვებოდა ამ დაბადებას, თორემ იქნებ ქართველი ყრმები აკვანშივე ამოეხოცათ. ეს დაბადება იყო საქართველოსათვის ღვთიური განგებულება.

2. ილია ჭავჭავაძე და მართლმადიდებლობა

დიდმა ილიამ ცადა თაურის, ამ დიდი საიდუმლოს, თაურსაწყისის წვდომა ენით. იგი ენის საშუალებით ცდილობს ქართული სულიერების დაფარული საიდუმლოების გახსნას.

სარწმუნოება კი უფალთან მისასვლელი გზაა, ღმერთის ძიებაა, სიყვარულია, თავდადება და თავგანწირვაა. სხვანაირად ვერ გავიგებთ, რასაც დიდი ილია ბრძანებს: „ეს სამი ერთმანეთის ღირსი საგანი ისე ჩაეწნენ, ისე ჩაქსოვდნენ ერთმანეთში, რომ რჯულის დაცვა საქართველოს მიწა-წყლის დაცვად გარდაიქმნა და მიწა-წყლის დაცვა - რჯულის დაცვად". სწორედ საუკუნეების განმავლობაში ქრისტიანობამ შემოგვინახა ჩვენი მამული, ჩვენი ენა, ჩვენი სულიერება, ჩვენი ეროვნება.

3. ომის ფენომენის ფილოსოფიური დისკურსი და ადამიანის ბუნება

XXI საუკუნეში, ადამიანი, უფრო მძაფრად გრძნობს, სასიცოცხლო ინტერესებისადმი ღია თუ ფარულ მუქარას. ისადგურებს მარადიული შიში. უხსოვარი დროიდან არსებული უძლურების შიში. ესაა ექსისტენციალური შიში, რამაც ადამიანი ახალი ინსტიტუციის, სახელმწიფოს კარიბჭესთან მიიყვანა. ახალს იმიტომ ვამბობ, რომ სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური

ორგანიზაცია დაახლოებით 5 ათასი წლის ისტორიას ითვლის.

სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად დგინდება წესები, რათა ლეგიტიმურობის წყალობით მმართველობის დემოკრატიულობის სიკეთეებს ვეზიაროთ... მაგრამ გარედან მომზირალ აპოკალიფსურ ვითარებას ყველანი ვგრძნობთ. გაურკვეველ ვითარებაში, როგორც ადამიანები, ასევე სახელმწიფოც ასეთ დროს თავისთავს ავლენს თავის სიძლიერის წარმოჩენით. იმისდა მიხედვით, თუ რა იარაღის რა სისტემას ფლობენ, ქვეყნის პოლიტიკური რეჟიმები საკმაოდ განსხვავებულ ხასიათს ატარებენ, რაც მოწმობს იმაზე, თუ რამდენად ურთიერთდაკავშირებულია იარაღი და პოლიტიკური რეჟიმი, მეტიც, თითქოს იარაღი განსაზღვრავს კიდეც ძალაუფლებას, რასაც მაო-ძედუნმა ხატოვანი ფორმულირება მისცა; „ძალაუფლება თოფის სამიზნეშია".

მკვლევარები როდესაც ომის ფენომენოლოგიურ ანალიზს ახდენენ, სამ ძირითად მიზეზე ამახვილებენ ყურადღებას. 1. ადამიანის ბუნება- ავგუსტინე აღნიშნავს; ომი არის საფასური, რასაც ჩვენ ვიხდით ცოდვილი ბუნების გამო. 2. საზოგადოება- როგორც რუსო მიუთითებს; ადამიანი ზოგადად კარგია, მას საზოგადოება მანკიერს ხდის, 3. შეუბრალებელი გარემო-დედა ბუნება, - ადამიანის აგრესია ბუნებრივი რესურსების სიმცირით არის გამოწვეული.

თუ ყოველი ომს წინ უსწრებს მიზეზები, რატომ არის შეუძლებელი ომების აღმოფხვრა ინდივიდთა ან სახელმწიფოს ქცევის თუ მოქმედების შეცვლით?

ადამიანის ბუნება გამსჭვალულია ღმერთისადმი რწმენით და სიყვარულით, რაც გზას ხსნის კაცთმოყვარეობისაკენ. მაშინ რა ფენომენია ომი? კვლევის ობიექტი სწორედ ეს ომია.

4. განსხვავებულ სააზროვნო დისკურსის „მომავალი" (ათენი და ისევ იერუსალიმი)

თანამედროვეობის ტენდენციები, რომელიც გამოხატულია ლიბერალურ და სეკულარულ მოძრაობად, დაუპირისპირდა დასავლური კულტურის ორ საყრდენს - ანტიკურ აზროვნებასა და ბიბლიურ რელიგიას. თანამედროვეობის მოაზროვნეები, ამ ეპოქას „თანამედროვეობის კრიზისს" უწოდებენ. აზროვნების ეს ორი კონცეპტი აღინიშნება იერუსალიმის და ათენის სახელით. ეს ორი სააზროვნო დისკურსი დასავლური კულტურის განვითარებას და არსებობას განაპირობებდა.

თანამედროვეობის კრიზის გასაცნობიერებლად და მისი დაძლევისათვის უნდა მოხდეს მათი რეაქტუალიზაცია და რეინტერპრეტაცია. ურთიერთდაპირისპირებული აზროვნების კონცეპტის გადაულახავი წინააღმდეგობის გააზრება ხსნის ფილოსოფიურ, თეოლოგიურ და პოლიტიკური დისკურსის ახალ პერსპექტივას. როგორც აღნიშნავენ თანამედროვეობის მოაზროვნეები, იხსნება რაციონალური აზროვნების ახალი პერსპექტივები. მთავარი მდგომარეობს არა იმაში, რომელი გზაა სწორი, არამედ რომელი გზა წარმართავს ადამიანს, მის ცხოვრებას უკეთესად.

ახალ დრში მთელ იმედებს განმანათლებლობაზე ამყარებდა. პასუხი შეკითხვაზე: რა არის განმანათლებლობა? კანტი პასუხობდა განმანათლებლობა - ესაა ადამიანის გამოსვლა უმწიფრობიდან, რომელიც მისივე ბრალია. უმწიფრობა არის უმწეობა, საკუთარი განსჯა სხვისი ხელმძღვანელობის გარეშე მოიხმარო.

დღესაც ისმება შეკითხვა: ბრძანებს ფუკო თუ რა არის თანამედროვე ფილოსოფია? ამ შეკითხვაზე შეიძლება ეგეთი გაგვეცა პასუხი: თანამედროვე ფილოსოფია ისაა, რომელიც ცდილობს, გასცეს პასუხი ორი საუკუნის წინ

ასე გაუფრთხილებლად დასმულ შეკითხვაზე: Was ist Aufklarung?

5. თანამედროვეობის კრიზისის დაძლევის „ახალი" გზა-უნივერსალური სინთეზის მომავალი

უძველესი დროიდან დღემდე გრძელდება ორ განსხვავებულ სააზროვნო კონცეპტებს შორის დისკურსი. ეს ორი სააზროვნო დისკურსი დასავლური კულტურის განვითარებას და არსებობას განაპირობებდა. არსებობს დაპირისპირება დასავლური კულტურის ამ ორ საყრდენს შორის. თანამედროვეობის მოაზროვნეები, ამ ეპოქას „თანამედროვეობის კრიზისს" უწოდებენ.

თანამედროვეობის კრიზის გასაცნობიერებლად და მისი დაძლევისათვის უნდა მოხდეს აზროვნების ორი კონცეპტის, ანტიკური აზროვნებისა და ბიბლიური რელიგიის, (იერუსალიმის და ათენის) რეაქტუალიზაცია და რეინტერპრეტაცია, რადგან ურთიერთ- დაპირისპირებული აზროვნების კონცეპტის გადაულახავი წინააღმდეგობის გააზრებამ უნდ გახსნას ფილოსოფიური, თეოლოგიური და პოლიტიკური დისკურსის ახალი პერსპექტივა.

ორი დაპირისპირებული პოლუსის შერიგება ისტორიულად ვერ ხერხდებოდა. საკაცობრიო კულტურის მომავალი მათ დამოუკიდებელ განვითარებაში უნდა ვეძებოთ, თუ შესაძლებელია მათ უნივერსალური სინთეზი? „დღეს" ადამიანი თავისი საზღვრითი ექსისტენციალური მდგომარეობის გამო რელიგიასა და მეცნიერებას, გამოცხადებასა და გონებას, ეკლესიასა და აკადემიას შორს დიალოგს ანუ ახალი კომუნიკაციის გზას უნდა დადგეს, რომელიც გახსნის თანამედროვეობისათვის ახალ ჰორიზონტს.

უნდა აღინიშნოს რომ „გაყოფის" თეორია დიდა არის დავალებული ავგუსტინესაგან. მან მკაცრად გამიჯნა სახელმწიფო და ეკლესია, „ამქვეყნიური ქალაქი" და „ზეციური ქალაქისაგან".

არც ერთ სოციალურ რეფორმას არ ძალუძს ადამიანის ჭეშმარიტი განთავისუფლება ანუ მათი ძალების განწმენდა ვნებებისაგან.

დედამიწაზე ცათა სასუფევლის დამყარების ყველა მცდელობას ჯოჯოხეთი მოაქვს.

თანამედროვეობის მოაზროვნეები, როგორც აღნიშნავენ იხსნება რაციონალური აზროვნების ახალი პერსპექტივები. მთავარი მდგომარეობს არა იმაში, რომელი გზაა სწორი, არამედ რომელი გზა წარმართავს ადამიანს, მის ცხოვრებას უკეთესად.

წინა პლანზე წამოიწევს პოლიტიკური წესრიგის წინარეპოლიტიკური წანამძღვრების ანალიზი. როგორც იურგენ ჰაბერმასი აღნიშნავს პოსტსეკულარულ საზოგადოებაში მორწმუნეთა და ურწმუნოთა შორის ურთიერთობის პრობლემის სახეს იძენს.

ახალი დროის ფილოსოფოსები იღვწიან განმანათლებლობის იდეებით აღჭურვილნი „გარდაქმნისათვის" - ლაპარაკია ხალხის ბედნიერების მიღწევაზე, მისთვის უკეთესი ცხოვრების შექმნით, და სახელმწიფოს გაძლიერებით.

6.ესპანურენოვანი ემიგრაცია-თანამედროვე გამოწვევა შეერთებული შტატებისათვის მიუხედვად აშშ-ს მიერ ემიგრაციის წახალისებისა XXI საუკუნის დასაწყისში აშშ აღმოჩნდა ახალი ემიგრაციული კრიზისის წინაშე,რაც გამოწვეულია ემიგრაციის ტალღის არაკონტროლირებადი ზრდით. მაგ. ყოველწლიურად აშშ-ში მხოლოდ სტუდენტის სახით შედია 150 ათასი ჩინელი სტუდენტი და 135 ათასი სამხრეთ კორეელი სტუდენტი. მაგრამ

განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ესპანურ ენოვანი ემიგრაცია, რომელიც როგორც ს. ჰანტინგტონი აღნიშნავდა პრობლემას უქმნის აშშ-ს კულტურის და ფუნდამენტური ღირებულებათა სისტემის ეროზიას. ესპანური ენა არაოფიციალურად ხდება მეორე სახელმწიფო ენა. აშშ დგას დილემის წინაშე უარი თქვას ემიგრაციის, ღია კარის პოლიტიკაზე,რაც აშშ-ს ისტორიაზე უარის თქმაა და მეორეს მხრივ, აშშ-ს პოლიტიკური და კულტურული იდენტობის შენარჩუნება. რადგან უკვე საუბრობენ აშშ-ზე როგორც ერთ სახელმწიფოზე და ორ კულტურაზე. ამიტომ უნდა უზრუნველყოფილი და ქნეს სახელმწიფოებრივი და კულტურული მთლიანობა და ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სტაბილურობა

7.წერილის და მეტყველების მიმართება ჟ. დერიდას გრამატოლოგიაში.

ადამიანსა და ჭეშმარიტ რეალობას შორის მრავალი გამაშუალებელი რგოლი არსებობს, ადამიანისათვის შეუძლებელი ხდება გაარკვიოს თუ რა არის უშუალო, ნამდვილი, ორიგინალი, სახეზემყოფი და არა გაშუალებული, რეპრეზენტაცია, ნაკვალევი. სამყარო წარმოსდგება ენობრივი ქსელის სახით. ეს რგოლები ფიქსირდება ენაში და ენის მეშვეობით. ამიტომ აუცილებელია ენის გაწმენდა. ბერძნული და ქრისიტიანული კულტურა უპირატესობას ანიჭებს მეტყველებას. არისტოტელე ამბობს, "ადამიანი არის ძოონ ლოგონ ეხონ", ხოლო იოანეს სახარებაში ნათქვამია: "თავდაპირველად იყო სიტყვა სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი? დასავლური მეტაფიზიკა ეფუძნება სწორედ მეტყველების უპირატესობას წერილის წინაშე. მეტყველება არის ადამიანის, გონების, არსებობის და ყოფიერების მყოფობის დადასტურება. დერიდეს სურს დაასაბუთოს, რომ წერილი წარმოიშვა ხმაზე, მეტყველებაზე და ენაზე ადრე. მისი აზრით, მეტყველების უპირატესობის უკუგდებით მოხდება დასავლური მეტაფიზიკის დაძლევა. დღეს ადამიანის ცხოვრებაში მთავარ როლს თამაშობს წერილი. მიუხედავად მეტაფიზიკის მიერ მისი დათრგუნვისა იგი გაბატონდა – უნდა გაირკვეს რა მეტაფიზიკური შედეგების მანიშნებელია და მქონეა ეს მოვლენა. წერილის დამახასიათებელი ნიშანია საყოველთაო გავრცელება და გაბატონება,რაც ნიშნავს უშუალობის, უშუალო აწმყოფობის საყოველთაო ჩანაცვლებას წერილით,ნაკვალევით, დანაწევრებული აზროვნებით და გამოცდილებით.

8. წერილი არ არის უბრალოდ ინფორმაცია, იგი უპირველესად არის არსებობისა და არსებულის აღმნიშვნელი,წარმომადგენელი,ნაკვალევი. პრობლემაა სწორედ თუ რამდენად უნაკლოდ წარმოადგენს იგი არსებულს და არსებობას. როგორც ვხედავთ, დერიდეს აინტერესებს საერთოდ ადამიანური უნარი რაიმეს ჩანაწერის გაკეთებისა, რომელმაც შეიძლება ყველანაირი ხასიათი მიიღოს. წერილია პირველყოფილი ადამიანის ნაკაწრიც, რომელიც გარკვეულ ინფორმაციას შეიცავს,რაღაცას წარმოადგენს და ჩაანაცვლებს. ადამიანისათვის წერილი არსობრივი უნარია. იქნებ სწორედ ეს უდევს საფუძვლად მეტაფიზიკის არსებობას, ადამიანის უნარი -ის უპირველესი, ნამდვილი არსებული ჩანაცვლებული იყოს წერილით, სიტყვით. ამიტომაა ენა ყოფიერების სახლი.

9. მოხსენებაში განხილული იყო პლატონური ტარდიციის ფარგლებში სიყვარულის როგორც შემეცნების თემა კოსმოლოგიურ კონტექსტში სხვადასხვა ეპოქის ორი ფილოსოფოსის შემოქმედების საფუძველზე: 1. სიმპლიკიოსი (V-VI სს. ეოპლატონიკოსის, არიოსტოტელეს კომენტატორი); 2. გეორგიოს გემისტოს პლეთონი (XIV-XV სს. ბიზანტიელი ფილოსოფოსი, პლატონიკოსი). ნაშრომში შევეხეთ სიყვარულის, როგორც გარე რეალობის ცოდნისა და კოსმოსთან (აქვე შეგვიძლია დავუმატოთ: მის შემოქმედთან) ჩვენი ერთობის სურვილისა და მისწრაფების თემებს აღნიშნულ ორ

ფილოსოფოსთან. შესაბამისად, მოხსენებაში ჩვენ შევეხეთ კოსმოლოგიურ ასპექტებს ანუ კოსმო-ლოგიას – კოსმოსის ცოდნას, როგორც აუცილებელ ეტაპს, რომლის გავლაც, პლატონიკოსთა აზრით, აუცილებელი იყო თვითობის და, შესაბამისად, ღმერთთან მსგავსების – უმაღლეს მიზეზთან "კავშირის" განხორციელების გზაზე.

10. გლობალიზაციის პროცესმა ფუნდამენტური ცვლილებები გამოიწვია უნივერსალური ღირებულებებთან მიმართებაში, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებად მიჩნეულ, თავისუფლების ადამიანის უფლებების, დემოკრატიის, კულტურის ჩანაცვლება ხდება ინფორმაციის, ტექნოლოგიების, ბაზრის და ტურიზმის ცნებებით, სწორედ ეს მიიჩნევა გლობალურის უნივერსალურზე ძალადობის პირობად.

11. ვროპული კულტურაში ხელოვნების თავგადასავალი უსუალოდ არის და კავსირებული ჭეშმარიტების პროექტთან. ქედან გამომდინარე ხელოვნებას ესთეტიკურ მხარესთან ერთად ყოველთვის ჰქონდა სიამდვილის გაგებისა და სემეცნების ფუნქციას.ჭეშმარიტების პროექტის დასრულებამ მოიყანა თანამედროვე ხელოვნების რადიკალური ტრანსფორმაცია.

12. ჭეშმარიტების პროექტის ჩამოყლიბება უშუალოდ უკავშირდება პლატონის სახელს, ის შენარჩუნებული იქნა ევროპული კულტურის ისტორიის მანძილზე თუმცა გარკვეული ცვლილებებით საბოლოდ გაფორმდა ტრანსცედენტალური ფილოსოფიის და პოზიტივიზმის ფარგლებში. ნეოპრაგმატიზმი შეიძლება მივიჩნიოთ ჭეშმარიტების პროექტის დასრულების პირველ ფილოსოფიურ მცდელობად, რომელიც საბოლოოდ გაფორმდა პოსტსტრუქტურალისტურ ფილოსოფიაში.

13.მოხსენებაში განხილულია ამერიკული პოსტ-პრაგმატული განათლების ფილოსოფიის ახალი მატრიცა; დადგენილია იმ სიძნელეების მოხსნის მცდელობა, რომელიც პროგრესისტული პრაგმატული დიუისეული კონცეფციის მოდელში იყო წარმოდგენილი. გამოყოფილია ამ ხედვის დადებითი მომენტები, კერძოდ ის, რომ აქ მთავარი აქცენტი უწყვეტი განათლებაზე, ანუ მთელი ცხოვრების განმავლობაში ამ პროცესში მყოფობაზეა გადატანილი, ანუ ადამიანს ეძლევა შესაძლეობმობა, ამ მოდელის ფარგლებში მიღებული ცოდნით, გაუმკლავდეს 21-ე საუკუნის გამოწვევებს.

14. Paideia განათლების ფილოსოფიის ახალი მოდელია, ამ ხედვის მთავარი აქცენტი სწავლებისა და სწავლის ხარისხსა და რიგორიზმზეა, მისთვის ასევე მნიშვნელოვანია უწყვეტი განათლება, ანუ მთელი ცხოვრების განმავლობაში ამ პროცესში მყოფობა. *Paideia გულისხმობს* მოსწავლისა და მასწავლებელის თანამშრომლობით, ინტელექტუალურ დიალოგს, რომელიც მიმართულია კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების ჩამოყალიბებაზე. *Paideia-ტური* მიდგომა გულისხმობს თეორიისა და პრაქტიკის უწყვეტობას და თავისი არსით საბოლოო ჯამში ჰოლისტურია .

მოხსენებაში გაანალიზებულია ჯონ დიუის პრაგმატული განათლების ფილოსოფიის მოდელი, როგორც ბაზისური წყარო Paideia-ს მატრიცისა, ჩატარებულია შედარებითი ანალიზი Paideia-ას ანტიკური კონცეფციისა და მისი ამერიკული ვერსიისა, გაანალიზებულია Paideia-სეული განათლების არსებითი ელემენტები, თორმეტი Paideia-ას პრინციპი. ე.წ. „Paideia-ას სამი სვეტი", ახალი მატრიცის ამგები ძირითადი ცნებები კონცეპტუალური წვდომა, ფაქტუალური გახსენება, კრიტიკული აზროვნებისა კომუნიკაციური უნარების განვითარება, და სხვ. შეფასებულია Paideia-ს მატრიცის დადებითი მხარეები და სიძნელეები.

15. კვლევა მიზანად ისახავს კომპლექსურად შეისწავლოს კულტურა და

პიროვნება. კულტურაზე, როგორც ინტეგრალურ მთელზე, კონფიგურაციული მიდგომა ემყარება ცნებების "კულტურა"და "პიროვნება" მჭიდრო კორელაციას. ეს მიდგომა გულისხმობს პიროვნების, როგორც ინდივიდის შესწავლას საკუთარი კულტურის პერსპექტივაში. დავესესხებით ამერიკელ კულტურფილოსოფოს რუთ ბენედიქტის, რომელიც თვლის, რომ კულტურა ეკრანზე მსხვილი პლანით პროეცირებული ინდივიდუალური მე-ა, გიგანტური პროპორციების მქონე და დროში ხანგრძლივად გაშლილი. ჩვენი ინტერესის საგანი არ არის"პერსონა" -როგორც აზრის კატეგორია, არამედ ინდივიდუალური პერსონულობის ესენციალური რაობა, რომლის გახსნა მხოლოდ განსხვავებულ კულტურებშია შესაძლებელი. ამ გზაზე შედეგიანად გვესახება "კულტურული კონფიგურაციის" კონსტრუირების შესაბამისი იზომორფული პიროვნების კონფიგურაცია, ეს საშუალებას მოგვცემს ეფექტურად ვიკვლიოთ კულტურისა და პიროვნების ურთიერთობები., პიროვნებისა და კულტურის თანამედროვე მკვლევარები თვლიან, რომ კულტურული კონფიგურაციის ისტორიული განვითარება ინდივიდის ბიოგრაფიულ განვითარებას უტოლდება. ამა თუ იმ კულტურულ პარადიგმაში განსხვავებული ელემენტების ინტეგრირების შედეგად მათ ახალი მნიშვნელობები ენიჭება. ანალოგიური პროცესები მიმდინარეობს ინდივიდში, რის შედეგადაც ყოველი ინდივიდში ხდება განსხვავებული ცხოვრებისეული უნარების ინტეგრირება პიროვნულ მთელად. მსგავსება კულტურის მოდელის სტრუქტურასა და ინდივიდის სტრუქტურას შორის ყოველთვის არ აისახება ნათლად კულტურ-ინდივიდთა ქცევებში. მისი გამომზეურებისათვის საჭიროა კულტურის მოდელის მრავალი შრის აზრობრივი ინტეგრაცია და მათი სკრუპულოზური შედარებითი ანალიზი. შედეგად კულტურა ინდივიდუალურ პიროვნებას დაემსგავსება და წარმოდგება, როგორც კულტურის ზღვრული ცენტრი –ე.წ."კულტურის მიკროკოსმოსი". კულტურაში, როგორც ურღვევი მთლიანობის მქონე კონსტრუქციაში, გამოიყოფა მითო-რელიგიური, ინტელექტუალური და ესთეტიკური ელემენტები. ჩვენი კვლევა ფოკუსირდება თაურ-რელიგურ ხედვებზე. მითოსი და მითოსით მოტანილი კულტურა სოციუმის წევრთა ცხოვრების წესსა და ზნეობრივ –რელიგიურ სახეს ძერწავს; იგი შეიძლება წარმოვიდგინოთ იმპერატივთა სისტემად. მხოლოდ ერთი დათქმით- იმპერატივებს არ გააჩნიათ საყოველთაო ხასიათი, ისინი უნივერსალურნი არიან მხოლოდ ერთ კონკრეტულ საზოგადოებაში; იქ ამ საზოგადოებისათვის დამახასიათებელი კონკრეტული იმპერატივები „მუშაობენ", სხვადასხვა საზოგადოებებში მათი სხვა სახით ინტერპრეტაციას ხდება. შიგაკულტურული ინტეგრაციის ფუნქცია კულტურის ეთოსს ევალება. ეთოსის ინტერპრეტაცია სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების შიგნით სხვადასხვაგვარია, მის საფუძველზე ხორციელდება ეთნოსის ბაზისური მექანიზმის ფუნქციონირება. კულტურის ცენტრალური თემა-ეთოსი განსაზღვრავს მასში შემავალ ადამიანთა ქცევების რაგვარობას, მაგრამ არ შეუძლია ქცევის მოდელის დეტერმინირება.

16. კულტურის ეთოსი-სტრუქტურათა სპეციფიკური ერთობლიობაა, ეს ის ძირითადი ღირებულებები და განწყობებია, რომლებიც განსაზღვრავენ როგორც საზოგადოების ცხოველქმედების შინაარსს, ასევე პიროვნულ ქცევებს. კულტურის ეთოსი ვლინდება ადამიანური ყოფიერების ყველა სფეროში: სოციალური იერარქიის სტრუქტურებში, საკუთრების გადანაწილების სისტემებში, მატერიალურ საგნებში და მათი წარმოების ტექნოლოგიებში, სქესთა შორის ურთიერთობებში, სოციუმის შიგნით

კავშირებისა და კლანების ფორმირებაში, ეკონომიკური გაცვლის საშუალებებში და ა.შ. კულტურის ეთოსი განსაზღვრავს კულტურის ელემენტთა ურთიერთქმედების რაგვარობასა და მათ შინაარსს. რელიგია, ოჯახი, ეკონომიკა, პოლიტიკური ინსტიტუციები ერთობლიობაში ქმნიან ერთიან განუმეორებელ სტრუქტურას. ამასთან, ყოველ კულტურაში მხოლოდ მკაცრად განსაზღვრული ვარიაციები მყოფობს. ეს ვარიაციები კულტურის ეთოსს შეესატყვისება. ყოველ ინსტიტუციას მრავალი ტიპი და ვარიაცია გააჩნია. მაგრამ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ამა_თუ იმ კულტურის ჩარჩოში მხოლოდ ერთი ტიპი, ერთი ვარიაციაა ჩართული. კულტურის ელემენტები იცვლიან საკუთარ მნიშვნელობას ძირითადი თემის-კულტურის ეთოსის ზეგავლენით, და ერთიანი კულტურული კონფიგურაციის ნაწილად იქცევიან.

17.მეტაფიზიკურ დონეზე არსებობს ოთხი ზოგადი მოდელი, რომელთა საფუძველზეც შენდება განათლების ფილოსოფიის განსხვავებული სისტემები, დღეს განათლებას მიეყენება ისეთი აზროვნების ფილოსოფიური სკოლები, როგორიცაა- იდეალიზმი, რეალიზმი, პრაგმატიზმი, ექსისტენციალიზმი. მოხსენებაში განხილულია ამერიკული პრაგმატიზმის ფილოსოფიის თავისებურებები. კონკრეტულად კი განათლების ფილოსოფიის ის მოდელი, რომელიც ჯონ დიუის მიერაა შემოთავაზებული, პრაგმატიზმის ეს ვერსია გვთავაზობს ფილოსოფიის ახალ განმარტებას, რომლის მიხედვით ფილოსოფია არის განათლების ზოგადი თეორია. დასაბუთებულია, რომ ამგვარი მოდგომა მეტისმეტად ვიწროა, იგი ამცრობს ფილოსოფიური ხედვის ჰორიზონტს, და არ ძალუძს გადაწყვიტოს ყველა ამოცანა, რომელიც ფილოსოფიის წინაშე დგას.

18. გადმოცემულია ტექნოლოგიების სწრაფი ცვალებადობის ეპოქაში ადამიანის ბუნებითი უფლებების კონცეფციის ცვალებადობის პრობლემა პოლიტიკური წესრიგის საფუძვლების ტრანცფორმაციის პრობლემასთან მიმართებაში.

19.მოცემულია უნივერსალური კონსენსუსის (ბაზისური კონსენსუსის) საფუძველზე სოციალურ და პოლიტიკურ ჯგუფთა თავისუფალი კონკურენციის შესაძლებლობის კონცეფცია. გაანალიზებულია ამ კონცეფციის შესაძლო ტრანსფორმაციები 21-ე საუკუნეში გლობალიზაციის ახალ ტალღასთან დაკავშირებით.

20მოცემულია ფილოსოფიის სპეციფიკური კონდიცია და ამოცანები პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში. საკითხი განხილულია კომუნიკაციური ქმედების თეორიასთან და თანამედროვე ფილოსოფიის ჰერმენევტიკულ ტენდენციებთან მიმართებაში.

21.ნიცშესეული დიონისური ხელოვნების კონცეფცია და რელიგიის ფილოსოფიაში ცნობილი საკრალურობის მირჩე ელიადესეული თეორია განხილულია საქართველოს მთიანეთში შემორჩენილი ხატობების და ხალხური ქრისტიანობის ტრადიციებბთან მიმართებაში.

22.მე-20 საუკუნის ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში ფილოსოფიის საწყისის პრობლემა განხილულია ძალაუფლების დისკურსთან მიმართებაში. აქცენტირებულია ფილოსოფიის ჭვრეტითი ასპექტის დაპირისპირება პრაქსისთან.

23.მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ თომას ჯეფერსონის და პატრიკ ჰენრის დაპირისპირება ამერიკულ ქრისტიანობაში ფაქტიურად წარმოადგენს დაპირისპირებას თეოლოგიურ რაციონალიზმსა და ორთოდოქსალურ ქრისტიანობას შორის.

24.მოხსენებაში განხილულია უილიამ ფოლკნერის რომანები - „ ხმაური

დამძვინვარება „ და „ აბესალომ, აბესალომ“, ამ ლიტერატურულ საფუძველზე ნაჩვენებია ფოლკნერის „ ცნობიერების ნაკადის „ მიმართება ქრისტიანულ თეოლოგიასთან
25.მოხსენებაში გაანალიზებულია ჰუსერლის ფენომენოლოგიური რედუქციის თეოლოგიური განზომილება და მისი ასოციაცია გრიგოლ პალამას მოძღვრებასთან. 26. პიროვნების ცნების გაგებისათვის-პიროვნების ცნების წარმოშობა დაკავშირებულია თვითცნობიერების და თვითშემეცნების აღმოცენებასთან (სოკრატე, დეკარტე, კანტი და სხვ.) პიროვნება არის თავისი თავის თავისუფლად თვითგანმსაძღვრელი გონი.
27.თამაზ ბუაჩიძე, როგორც ფილოსოფოსი-მთელი მის შემოქმედებაში ლაიტმოტივად გასდევდა მისი სათაყვანო ფილოსოფოსის ჰეგელის აზრი, რომ „არ არსებობსუფრო დიდი სერიოზულობა, ვიდრე ფილოსოფიური აზროვნების სერიოზულობა”.
28.შიფრის ენა კ. იასპერსის პერიხონტოლოგიაში ნაჩვენებია ადამიანის ყოფიერების ღმერთამდე ამაღლების შინაგანი პროცესი. იასპერსის აზრით ერთეული ადამიანი, პიროვნება უნიკალური სუბიექტური გზით-შიფრით აზროვნებით აღწევს უფალთან იდუმალ კავშირს, შინაგან ექსისტენციალურ ამაღლებულ კონტაქტს.
29.ადამიანის არსი და თავისუფლება გერმანულ ეგზისტენციალიზმში გაანალიზებულია.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	დემური ჯალაღონია	წმ. ანთიმოზ ივერიელის თეოლოგიური სააზროვნო კონცეპტის ანალიზი	საერთაშორისო სემინარი ”ანთიმოზ ივერიელი: ქართულ-რუმინული მერიდიანი“. 9 მარტი. 2015. ანთიმის სამონასტრო კომპლექსი. ბუქარესტი
2	ვალერიანი რამიშვილი	Socrates and Heidegger on human Dignity and virtue	11-16 July, 2015, Athens Greece Twenty seventh international conference of philosophy
3	რამიშვილი ვალერიანი	ანთიმოზ ივერიელი და მისი ეპოქის თეოლოგიური დისკუსიები	საერთაშორისო სემინარი ”ანთიმოზ ივერიელი: ქართულ-რუმინული მერიდიანი“. 9 მარტი. 2015. ანთიმის სამონასტრო კომპლექსი. ბუქარესტი,რუმინეთი
4	ლელა ალექსიძე	Love as a Way Back to Self through Other (Platonic Tradition)	ისკია, იტალია, სექტემბერი 2015
5	ა.ზაქარიაძე	„პერსონული ღირსება, *Homo Economicus* და სხეულის კომერციალიზაცია“	იუნესკოს ბიოეთიკის განყოფილება, მე–10 მსოფლიო კონფერენცია 6-9 იანვარი. 2015. იერუსალიმი. ისრაელი

6	ა.ზაქარიაძე	„ანთიმ ივერიელი- მორალური თეოლოგიის ოთხი გამოწვევა“	საერთაშორისო სემინარი ”ანთიმოზ ივერიელი: ქართულ-რუმინული მერიდიანი“. 9 მარტი. 2015. ანთიმის სამონასტრო კომპლექსი. ბუქარესტი
7	ა.ზაქარიაძე	ვაი ჭკუისაგან გონების ეპოქაში. რუსული განმანათლებლობის ძირითადი ტენდენციები.	საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია- 25-27 სექტემბერი 2015. ერევანის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
8.	ი.ბრაჭული	„ანთიმ ივერიელი- განმანათლებლობა და თეოლოგია	საერთაშორისო სემინარი ”ანთიმოზ ივერიელი: ქართულ-რუმინული მერიდიანი“. 9 მარტი. 2015. ანთიმის სამონასტრო კომპლექსი. ბუქარესტი
9.	მამუკა დოლიძე	ქრისტიანული მოტივები უილიამ ფოლკნერის შემოქმედებაში	ამერიკის კათოლიკური უნივერსიტეტის სემინარი (17 აგვისტო- 18 სექტემბერი, 2015) აშშ, ვაშინგტონი, ამერიკის კათოლიკური უნივერსიტეტი, ფილოსოფიურ ღირებულებათა კვლევის საბჭო

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1.წმ. ანთიმოზ ივერიელის თეოლოგიური სააზროვნო კონცეპტის ანალიზი.

წმ. ანთიმოზ ივერიელის ქადაგებებიდან ამ ეტაპზე გამოვყოფდით ქადაგებას,- “ეს ვთქვი, როდესაც გავხდი მიტროპოლიტი”. და რატომ? ეს არის „პირველი დღე” - რაც ძალზედ მნიშვნელოვანია, - როდესაც უნგრეთ-ვლახეთის მიტროპოლიტი წარსდგა, როგორც რჩეული მოძღვარი რუმინელი ხალხის წინაშე.

მისი სწავლებანი ემყარება: 1. ღვთის რწმენას და ეკლესიის მორჩილებას. 2. მორჩილება მოითხოვს თვალთმაქცობისა და მზაკვრობისაგან განთავისუფლებას. (სიღრმისეულად უნდა იქნეს გაანალიზებული თვალთმაქცობის ფენომენი სახარებისეული მეზვერისა და ფარისევლის იგავის საფუძველზე). 3. სულიწმინდის მადლით გონების განათება, თავისუფლების გაცნობიერება. 4. ლოცვის ძალა და მისი მნიშვნელობა.

2.სოკრატე და ჰაიდეგერი: ადამიანის ღირსების დაფუძნება თანამედროვე ადამიანის ცხოვრების მიზანია თავისუფლება, კეთილდღეობა, რაც გულისხმობს წარმატების, ძალაუფლებისადმი ნების, სიმდიდრის კულტს. მერიტოკრატია კი მიჩნეულია ადამიანის შეფასების კრიტერიუმად, რომელიც ეფუძნება პრაქტიკულ სიბრძნის პრაგმატულობას და ინტელექტუალობის

კოეფიციენტს,რაც მოქმედების პრაქტიკული მიზანშეწონილობით იზომება. მერიტოკრატია ეფუძნება კრიტიკულ აზროვნებას და არა ყოფიერებაზე აზროვნებას. ადამიანის ადამიანურობა მის ღირსებაში მდგომარეობს, რომელიც ემყარება ყოფიერებაზე აზროვნებას.ადამიანი ყოველთვის ეძებდა ღირსეული ყოფიერების შესაძლებლობის დასაბუთებას, რადგან იგი იყო ადამიანურობის, პიროვნულობის, თავისუფლების საფუძველი.ამიტომ ხელისუფლებას ყოველთვის ეშინოდა ღირსების და ებრძოდა მას.

ადამიანის ღირსების თეოლოგიური დაფუძნების თანახმად ადამიანი არის ღმერთის ხატი და მსგავსი,რაც მისი ღირსების საფუძველია.

ადამიანის ღირსების სეკულარული დაფუძნების თანახმად ადამიანის ღირსება მის უნიკალურობას და ადამიანის უნარებს ეფუძნება. ესენია: თავისუფლება, პიროვნულობა, ზნეობრიობა, გონიერება. ადამიანი სამყაროს აუცილებელი ელემენტია და არის საკუთარი ყოფიერების შემქმნელი და განმკარგავი.

ადამიანის ღირსების მეტაფიზიკური დაფუძნების თანახმად ადამიანის ღირსება ემყარება ადამიანის უნარს აზროვნებდეს ყოფიერებაზე, მეტაფიზიკაზე, ღმერთზე. ღირსება ადამიანის მეტაფიზიკური მარკერია და არის უკვდავი სულის სეკულარული ვერისია. სოკრატეს და ჰაიდეგერის თანახმად, ღირსება ადამიანის მეტაფიზიკური და ონტოლოგიური სტატუსის გამომხატველია და აფუძნებს მის თავისუფლებას და ზნეობრიობას.

3.ანთიმოზ ივერიელი და მისი ეპოქის თეოლოგიური დისკუსიები ანთიმოზი როგორც კულტურტრეგერი და დიდი საეკლესიო იერარქი ითვალისწინებდა იმ დროინდელი რუმინეთის ეკლესიის მდგომარეობას, რომელიც განიცდიდა არა მარტო მუსლიმური,არამედ კათოლიკური ეკლესიის გავლენას და ვალდებული იყო დაეცვა მართმადიდებლური ქრისტიანობის მრწამსი. მისი ყურადღების განსაკუთრებული საგანია რწმენის როგორც ზნეობრიობის დაცვისა და განმტკიცების საშუალება. კათოლიკური (ინდულგენციის პრაქტიკა) და რეფორმაციის სუბიექტივიზმის მიმართ (ადამიანს არ სჭირდება შუამავალი ეკლესიის სახით ადამიანი-ღმერთის მიმართების განხორციელებაში). ეკლესიის და რელიგიის მნიშვნელობა ადამიანის მოქალაქეობრივი და ზნეობრივი ყოფიერების განხორციელებაში.

4.მოხსენებაში მოცემულია, პლატონური ტრადიციის ფარგლებში, სიყვარულის ფილოსოფიური ინტერპრეტაციის იმ ასპექტების ანალიზი, რომლებიც კონცენტრირებულია, ძირითადად, როლზე, რომელსაც ასრულებს *სხვა / სხვაობა* და მათი ცოდნა ნამდვილი *მე*-ს (თვითობის) მოპოვებისა და მიზეზთან ერთიანობისკენ მიმავალ გზაზე. მოხსენებაში განხილულია, *სხვაობის* კონტექსტში, ძირითადად, სიყვარულის თემასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

1. (1) სიყვარული როგორც სულის აქტივობა, მიმართული მისი (ანუ სულის) ჭვრეტის ინტელიგიბილური საგნების (ფორმების, იდეების) "დასანახად" (პლოტინი: ეროსის თემა, აგრეთვე თეატრის ანალოგია).
2. (2) სიყვარული როგორც მისწრაფება საკუთარ მიზეზსა და არსებასთან, შესაბამისად, საკუთარ ნამდვილ *მე*-სთან გაერთებისკენ, რაც შუამავალი საფეხურების სიმრავლის მეშვეობით ხორციელდება (პროკლე-პეტრიწი).
3. (3) სიყვარული როგორც ცოდნის სურვილი: ცოდნის ობიექტისკენ "გამოსვლა" შემეცნებაში, განპირობებული შემეცნების დუალისტური ხასიათით და სულის არსებისეული, შინაგანი *სხვაობით* (დამასკიოსი).
4. (4) სიყვარული როგორც გარე რეალობის ცოდნისა და კოსმოსთან ჩვენი ერთობის სურვილი (სიმპლიკიოსი, პლეთონი).
5. (5) სიყვარული როგორც პრაქტიკული აქტივობა, რომელიც აუცილებელია

"ღმერთისადმი მიმსგავსების" და ნამდვილი თვით-ობის (*მე*-ს) მოსაპოვებლად (რუსთაველი, პლეთონი).

6. (6) სიყვარული როგორც *მე*-ს "ფლობა" *სხვაში* და *სხვის* საკუთარ თავში (რუსთაველი, მარსილიო ფიჩინო).
7. დასკვნის სახით, გამოვთქვამ მოსაზრებას, რომ სხვა და სხვა-ობა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა პლატონურ ტრადიციაში მე-სა და თვით-ობის განსაზღვრაში. ეს საკითხი შემდგომ გაფართოებულ კვლევას მოითხოვს, რაც იმითაც არის განპირობებული, რომ ნეოპლატონური კვლევებში თვით-ობის განსაზღვრისას, ძირითადად, აქცენტი კეთდება უფრო ერთზე და იგივეობაზე, და ნაკლები ყურადღება ეთმობა სხვას და სხვაობას.

5.ახალი ბიოტექნოლოგიების ბუმი, მათი ფართე გამოყენება არსობრივი გავლენის ახდენს ზნეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე, თვისებრივად ახალი ღირებულებებისა და შეფასებითი კრიტერიუმების ფორმირებაზე. დილემური საკითხი გაანალიზდა ორგანოთა რუტუნული ამოღების, შეუქცევადი კომის მდგომარეობაში მყოფი, შეზღუდული უნარების მქონე ადამიანების სიცოცხლეში ინტერვენციის უფლების მართლზომიერების ზნეობრივი განზომილების მაგალითზე. პრეზენტაციაში ასევე გაანალიზდა საქართველოს ეროვნული ბიოეთიკური კომიტეტის საქმიანობა, ბიოეთიკურ გამოწვევების წინააღმდეგ მიმართული მისი გენერალური სტრატეგია.

6.მოხსენებაში გაანალიზებულია წმინდა ანთიმოზ ივერიელის თანადროული ეპოქის გამოწვევები მისი მორალური თეოლოგიის მიმართ. გამოტანილია დასკვნა, რომ ანთიმმა შესძლო ეჩვენებინა მართლმადიდებელი ღვთისმეტყველების სოციალური ასპექტის ცხოველმოქმედი ხასიათი. ნაჩვენებია, რომ იგი თანაბრად ზრუნავს პიროვნების როგორც სულიერ, ისე მატერიალურ კეთილდღეობაზე, რომ იგი არ არის გულგრილი როგორც თემის ისე საზოგადოების მიმართ ამ პლანში. სოციალური ფუნქცია, რელიგიისა, რომელიც წინ წამოწეულია დასავლურ ქრისტიანობაში, ორგანულად შეერწყა მისტიციზმს აღმოსავლური ქრისტიანობისა. ამით ანთიმოზ ივერიელმა შეიქმნა ევროპული ცივილიზაციის სულიერი განვითარების მოდელი.

7.ამ ეპოქის ინტელექტუალურმა დისკურსმა თვისებრივად შეცვალა რუსული მხატვრული, პოლიტიკური, ზნეობრივ-ინტელექტუალური ცხოვრება. მოხსენებაში განხილულია ის ძირითადი ტენდენციები, რომლებიც განმანათლებლობის ეპოქის რუსულ ზნეობრივ-ესთეტიკური აზრის, ფართედ აღებული კულტურის მახასიათებლებად იქცა.

8.მოხსენებაში გადმოცემულია ანთიმოზ ივერიელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის კონცეპტუალური შტრიხები განმანათლებლობის ეპოქალურ კონტექსტში. გატარებულია პარალელები მე-18 საუკუნის პირველი ათწლეულში საქართველოში ვახტანგ V -ისა და სულხან-საბა ორბელიანის მეთაურობით განხორციელებულ კულტურულ-საგანმანათლებლო რეფორმასთან და აქცენტირებულია ამ რეფორმებში ანთიმოზ ივერიელის როლი და მნიშვნელობა. აგრეთვე მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში რუმინეთში (უნგრუ-ვლახეთში) ე.წ. ბრინკევინუს რენესანსის მნიშვნელობა და მასში ანთიმოზ ივერიელის როლი.

9.მოხსენებაში განხილულია უილიამ ფოლკნერის რომანები - „ ხმაური და მძვინვარება „ და „ აბესალომ, აბესალომ", ამ ლიტერატურულ საფუძველზე ნაჩვენებია ფოლკნერის „ ცნობიერების ნაკადის „ მიმართება ქრისტიანულ თეოლოგიასთან. გაანალიზებულია ჰუსერლის ფენომენოლოგიური რედუქციის თეოლოგიური განზომილება და მისი

ასოციაცია გრიგოლ პალამას მოძღვრებასთან.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებთა ფაკულტეტზე მიზნობრივი სამეცნიერო-კვლე-ვითი პროგრამების განხორ-ციელების ხელშეწყობის 2015 წლის საგრანტო კონკურსში წარდგენილი ფილოსოფიის სას-წავლო-კვლევითი ინსტიტუტის პროექტი "დისკურსი და თავი-სუფლება"	ვალერიან რამიშვილი	დემურ ჯალაღონია ირაკლი ბრაჭული, ანასტასია ზაქარიაძე, აკაკი ყულიჯანიშვილი ,მამუკა დოლიძე, ნაპო კვარაცხელია, რეზო გორდეზიანი. ნანა გულიაშვილი **დამხმარე პერსონალი სტუდენტები:** თ.ბასილაია, ნ. მაისურაძე, მ. ალექსიძე, ნ. შუკვანი, ქ. ცხვარიაშვილი, გ. ბაქრაძე, გ. გრიგოლაშვილი, ლ. მათიაშვილი	თსუ ადგილობრივი გრანტი
2	"ანტიკური ნეოპლატონიზმი და იოანე პეტრიწი"	ლელა ალექსიძე	თსუ ფილოსო-ფიისა და ბი-ზანტინისტიკის მიმართულების ბაკალავრიატის სტუდენტები: (I) ანა ქირია, ნიკოლოზ ცისკარიშვილი, მარიამ აბაშიძე, მერი მაღლაკელიძე, ქრისტინე კოხია, სოფო კორძაძე; (II) სოფიკო ბერიაშვილი,	სპეციალური დაფინანსების გარეშე

			ელისო სუხიტაშვილი, ფიქრია ადეიშვილი, დარეჯან ნათელაშვილი, ალექსანდრე გოგოლაძე	

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

1. საქართველოში პირველად განხორციელდა ქართულ ფილოსოფიურ სივრცეში. დისკურსის, თავისუფლების და პასუხისმგებლობის ფენომენების ფუნდამენტური ანალიზი, კომპლექსური და სისტემური კვლევა. დისკურსის, თავისუფლების და პასუხისმგებლობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების გათვალისწინებით. რაც თავის მხრივ, ბიძგს აძლევს ახალი თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომების შემუშავებას. წაკითხულია რვა მოხსენება, ექვსი ანალიტიკური მოხსენების თეზისი, სტუდენტთა რვა საკონფერენციო მოხსენება, მომზადდება სტუდენტური კონფერენცია.
2. სტუდენტებთან ერთად ანტიკური ნეოპლატონიზმისა და იოანე პეტრიწის ფილოსოფიებზე მუშაობის შედეგები წარმოვადგინეთ თემატური სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის სახით, რომელიც ორი განყოფილებისგან შედგებოდა. I განყოფილებაზე წარმოდგენილი იყო მოხსენებები ანტიკური ნეოპლატონიზმის შესახებ, ხოლო მეორე განყოფილებაზე – იოანე პეტრიწის შესახებ.

IV. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	ნეოპლატონიზმი თავისუფლებისა და ნამდვილი მე-ს ძიებაში	ლელა ალექსიძე	ლელა ალექსიძე	სპეციალური დაფინანსების გარეშე

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

1.ნაშრომი შესრულებულია დაახლ 350 გვერდიანი მონოგრაფიის (ჯერ-ჯერობით გამოუქვეყნებელი) სახით. შედგება 3 დიდი ნაწილისგან. I ნაწილი ეთმობა ანტიკური ნეოპლატონიზმის საკითხებს (თავების მიხედვით, მოიცავს პლოტინის, პორფირიოსის, იამბლიქოსის, პროკლეს, დამასკიოსის და, მცირეოდენად, სიმპლიკიოსის ფილოსოფიების იმ ასპექტებს, რომლების თვით-ობის (ნამდვილი მე-ს) და თავისუფლების გაგებას ეხება. პირველი ნაწილის საერთო სათაურია ნეოპლატონური ტერმინი *mone*, ანუ "დგომა", საკუთარ თავში ყოფნა, რაც მიზეზის საკუთარ თავში ყოფნის მდგომარეობას აღნიშნავს შედეგებში მისი გამოვლენის სტადიამდე. შესაბამისად, ამ ნაწილში მხოლოდ ანტიკური ნეოპლატონიზმი საკითხები მაქვს თავმოყრილი. მონოგრაფიის II ნაწილს ეწოდება *proodos*, რაც ნიშნავს "გამოსვლას", ემანაციას. ამ ნაწილში ვიკვლევ ანტიკური ნეოპლატონიზმის შედეგებს ასახულს შუა საუკუნეების და, ნაწილობრივ რენესანსის ხანის ფილოსოფიაში, განსაკუთრებით, იოანე

პეტრიწის, გეორგიოს გემისტოს პლეთონის და, აგრეთვე, მარსილიო ფიჩინოს ფილოსოფიებში. ნაშრომის III ნაწილს, ნეოპლატონური ფილოსოფიის ტრიადული სისტემის მესამე წევრის შესაბამისად, *epistrophe* ეწოდება, რაც შედეგის მიზეზთან "დაბრუნებას", მისკენ "უკუქცევას" ნიშნავას. ნაშრომის ამ ნაწილში ვიკვლევ XX საუკუნეში ანტიკური ფილოსოფიის იმ თემებთან მიბრუნებას, რომლებსაც ნაშრომის I და II ნაწილში განვიხილავდი. მოცემულ ეტაპზე, მონოგრაფიას უნდა დაერთოს ვრცელი რეზიუმე ინგლისურ ენაზე, საძიებელი და ბიბლიოგრაფია. გამოსაცემად ჩაბარებას ვაპირებ 2016 წლის ზაფხულამდე.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მსოფლიო ისტორიის

სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

2015 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში

თბილისი

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება – **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი**

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი – **პროფ. თეიმურაზ პაპასქირი**

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა

ძველი მსოფლიო ისტორიის კათედრა:
1. პროფ. ლევან გორდეზიანი – კათედრის ხელმძღვანელი
2. ასოც. პროფ. მარიკა მშვილდაძე

შუა საუკუნეების ისტორიის კათედრა
3. პროფ. მურმან პაპაშვილი – კათედრის ხელმძღვანელი
4. ასოც. პროფ. თეა წითლანაძე
5. ასოც. პროფ. თეა ქარჩავა

ახალი და უახლესი ისტორიის კათედრა
6. პროფ. თეიმურაზ პაპასქირი – კათედრის ხელმძღვანელი
7. ასოც. პროფ. მერაბ კალანდაძე
8. ასოც. პროფ. ლეილა (ია) ხუბაშვილი
9. ასოც. პროფ. ფატიმა შეყლაშვილი
10. ასისტენტ-პროფ. თამარ ანთაძე
11. ასისტენტ-პროფ. ზაალ გოგენია

I. 1. <u>საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით</u> 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

I. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული			

და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	„საქართველო და ჯვაროსნული აღმოსავლეთი ჟაკ დე ვიტრის ცნობების მიხედვით“ (ისტორია, შუა საუკუნეების ისტორია)	სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ანდრო გოგოლაძე	1. თეა წითლანაძე 2. თეა ქარჩავა 3. ნიკოლოზ სილაგაძე
დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე) ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენდა ჟაკ დე ვიტრის ეპისტოლარული მემკვიდრეობის ქართულ ენაზე თარგმნა და მისი შესწავლა. ამ მემკვიდრეობის დამუშავება საშუალებას მოგვცემდა შეგვესწავლა XIII საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს ურთიერთობები ჯვაროსნებთან, რომის პაპის კურიასთან და მის დიპლომატიურ მისიებთან. მემატიანის ეპისტოლარული მემკვიდრეობის გათვალისწინებით, იერუსალიმში არსებული ქართული კოლონიის შესახებ ახალი მასალები ნამდვილად გაამდიდრებს ჩვენს ცოდნას ამ საკითხში. პროქტის შედეგად სრულად თარგმნილია ჟაკ დე ვიტრის შვიდივე წერილი და გამოცემულია ვრცელი კომენტარებითა და საკუთარ და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლებით. ჩვენ შევეცადეთ მოგვემზადებინა ფუნდამენტური ნაშრომი საქართველო-ჯვაროსნების ურთიერთობების შესახებ. ამასთანავე ჟაკ დე ვიტრის წერილების თარგმნითა და კომენტირებით ამ პრობლემის გარშემო ჩვენს სამეცნიერო სივრცეში ახალი ინფორმაციის მიღება გახდა შესაძლებელი. პროექტის ფარგლებში შესრულებული ნაშრომი, იმედი გვაქვს, გაამდიდრებს ცოდნას მე-13 საუკუნის საქართველოს საგარეო ურთიერთობების შესწავლისას. ჟაკ დე ვიტრის ნაშრომები უაღრესად მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს იმ პერიოდის ჯვაროსნული აღმოსავლეთისა და საქართველოს კულტურული და რელიგიური ურთიერთობების კუთხით.			

I. 4.

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	საქართველოს ბერძნული წარწერების ონლაინ კატალოგი, AR/207/2-130/14ს	სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	პროფ. ლევან გორდეზიანი	1. ლევან გორდეზიანი; 2. ირინე დარჩია; 3. ნათია ფიფია; 4. ლელა ჩოთალიშვილი; 5. ანა ჟორჟოლიანი
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და				

პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

საანგარიშო პერიოდში მოძიებულ იქნა შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა, შედგა დაზუსტებული ნუსხა იმ ტექსტებისა, რომლებიც მოხვდება ონლაინ-კატალოგში. მომზადდა 50 ტექსტის ორენოვანი (ქართული და ინგლისური) გამოცემის ელექტრონული ვერსია წინასწარ დადგენილი სტანდარტის მიხედვით. სტანდარტები გულისხმობს შემდეგს: აღწერა (რაზე არის წარწერა შესრულებული); ნომერი (ჩვენ მიერ მინიჭებული); ნომერი (თ. ყაუხჩიშვილის კორპუსში); როგორ არის შესრულებული წარწერა; ასოები, პალეოგრაფიული თვალსაზრისით როგორ არის შესრულებული; თარიღი; აღმოჩენილი ადგილი; თავდაპირველად სად მდებარეობდა წარწერა; დღეს სად ინახება წარწერა; ბიბლიოგრაფია; წარწერის ტექსტი; წარწერის თარგმანი; სამეცნიერო კომენტარი; წარწერის ფოტოები და პალეოგრაფიული პირები.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თ. წითლანაძე, ა. გოგოლაძე, თ. ქარჩავა, ნ. სილაგაძე	საქართველო და ჯვაროსნული აღმოსავლეთი ჟაკ დე ვიტრის ცნობების მიხედვით	თბილისი, „მერიდიანი“	350
2	ლეილა (ია) ხუბაშვილი	რომის პონტიფექსები და მათი ეპოქა. ტ. I. მეორე შესწორებული და გადამუშავებული გამოცემა	თბილისი, თსუ გამომცემლობა	870

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. თეა წითლანაძე, თეა ქარჩავა, ანდრო გოგოლაძე, ნიკოლოზ სილაგაძე
საქართველო და ჯვაროსნული აღმოსავლეთი
ჟაკ დე ვიტრის ცნობების მიხედვით

მონოგრაფიაში შესწავლილია ჟაკ დე ვიტრის ეპისტოლარული მემკვიდრეობა და ნათარგმნია ქართულ ენაზე. ამ მემკვიდრეობის დამუშავება საშუალებას მოგვცემდა შეგვესწავლა XIII საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს ურთიერთობები ჯვაროსნებთან, რომის პაპის კურიასთან და მის დიპლომატიურ მისიებთან. მემატიანის ეპისტოლარული მემკვიდრეობის გათვალისწინებით, იერუსალიმში არსებული ქართული კოლონიის შესახებ ახალი მასალები ნამდვილად გაამდიდრებს ჩვენს ცოდნას ამ საკითხში. ჟაკ დე ვიტრის შვიდივე წერილი და გამოცემულია ვრცელი კომენტარებით. წიგნი აღჭურვილია საკუთარ და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლებით.

2. ლეილა (ია) ხუბაშვილი
რომის პონტიფექსები და მათი ეპოქა. ტ. I

მონოგრაფიაში შესწავლილია და გაანალიზებულია მსოფლიო ისტორიის უბადლო მოვლენა-პაპობა, რომელსაც ანალოგი არ გააჩნია და ეპოქა, რომელშიც მათ მოუხდათ ცხოვრება და მოღვაწეობა. რომის პონტიფექსებმა თავისი არსებობის მანძილზე უდიდესი როლი შეასრულეს პოლიტიკის, დიპლომატიისა და ცივილიზაციის ისტორიაში და დღესაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ საერთაშორისო, პოლიტიკურ და კულტურულ პროცესებში. ნაშრომში ვრცლადაა წარმოდგენილი პაპობის ფორმირების ისტორიული პროცესები ქრისტიანობის წარმოშობის დროიდან, მათი ბრძოლა უნივერსალიზმისათვის, აღზევებისა და კრიზისის პერიოდები, ვატიკანის სახელმწიფოდ ჩამოყალიბება და ა.შ. მონოგრაფია განკუთვნილია სტუდენტებისათვის და მკითხველთა ფართო წრისათვის.
წიგნი თსუ გამომცემლობის მიერ გატანილი იყო ფრანკფურტის 2015 წლის საერთაშორისო ბაზრობაზე.

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მ. პაპაშვილი, გ. კუტალია, ნ. სილაგაძე, ა. გეთიაშვილი, თ. წითლანაძე, თ. ქარჩავა, ბ. შურღაია	დასავლეთ ევროპის ისტორია (XVI საუკუნე)	თბილისი, გამ-ბა „მერიდიანი“	296

ანოტაციები ქართულ ენაზე

დასავლეთ ევროპის ისტორია (XVI საუკუნე)

თანმიმდევრულად გადმოცემულია XVI საუკუნის დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების უმნიშვნელოვანესი ისტორიული ეტაპები. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია სოციალ-ეკონომიკურ ძვრებზე, პოლიტიკურ და კულტურულ ნოვაციებზე, სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებსა და საზოგადოებრივი აზრის თანდათანობით სეკულარიზაციაზე.

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლევან გორდეზიანი	ხელისუფლება და იდეოლოგია ძველ სამყაროში. *კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული,* XVI	თბილისი, გამომცემლობა „ლოგოსი“	12

ანოტაციები

1. ლევან გორდეზიანი – ხელისუფლება და იდეოლოგია ძველ სამყაროში – 2014 წლის 11-14 თებერვალს თბილისში გამართულ ზამთრის სკოლის გახსნაზე წაკითხული შესავალი ლექციის ტექსტი.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლევან გორდეზიანი, ირინე ტატიშვილი	ანითას ტექსტი (ხეთურიდან თარგმანი და კომენტარები ირინე ტატიშვილისა და ლევან გორდეზიანისა). *აღმოსავლეთმცოდნეობა*	№4	თბილისი, თსუ გამომცემლობა	14
2	მარიკა მშვილდაძე	საქართველოს ებრაელთა სოციალური სტატუსის კვლევისათვის. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე	№1	თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია	6
3	მარიკა მშვილდაძე	აფროდიტეს კულტის გავრცელების საკითხისათვის იბერიაში (ურბნისი). თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები	IX	თბილისი, „მერიდიანი“	10
4	მურმან პაპაშვილი, ზურაბ გამეზარდაშვილი	ერთი უცნობი წყარო საქართველოში საფრანგეთის მისიონის დაარსების შესახებ (XVII საუკუნის 80-იანი წლები)	ელდარ მამისთვალიშვილი – 75	თბილისი, „ჯეოპრინტი“	10
5	მურმან პაპაშვილი	ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ანტიკათოლიკური პროპაგანდა ოდიშის სამთავროში. კრებ.: „ევროპული კვლევები“	№2	თბილისი, „უნივერსალი“	18
6	თეა ქარჩავა	საზოგადოება, ეკლესია და კანონი, 1150-1250 (ბრიან ტიერნი). *„საისტორიო ვერტიკალები“*	№34	თბილისი	8
7	თეიმურაზ პაპასქირი	თურქეთის საკითხი სსრკ-გერმანიის ურთიერთობებში 1940 წელს. *„საისტორიო ძიებანი“*, წელიწდეული	XII	თბილისი, „მერიდიანი“	32
8	მერაბ კალანდაძე	კოტე ანთაძე და საფრანგეთის დიდი რევოლუცია. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერისტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო ცენტრის	№8	თბილისი, უნივერსალი	33

		შრომათა კრებული			
9	მერაბ კალანდაძე, თამარ ანთაძე	ნაპოლეონ ბონაპარტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი ეტაპები. საქართველოს სასპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები	IV	თბილისი, მერიდიანი	6
10	მერაბ კალანდაძე	დიმიტრი უზნაძე გერმანიის და იტალიის გაერთიანებაზე. „ჩვენი მწერლობა“	№13	თბილისი	4
11	მერაბ კალანდაძე	დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის ისტორიოგრაფიის შესწავლა თანამედროვე ქართულ მედიევისტიკაში. „ანალები“	№1	თბილისი	31
12	მერაბ კალანდაძე	ახალი ისტორიის ზოგიერთი საკვანძო საკითხის პერიოდიზაციის თაობაზე. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი	№9-10	თბილისი, ინტელექტი	18
13	მერაბ კალანდაძე	ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილი – დიდი ერუდიტი და ინტელიგენტი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები	IX	თბილისი, მერიდიანი	6
14	მერაბ კალანდაძე	გივი კიღურაძე ამერიკის ახალი ისტორიის საკითხებზე. *„საისტორიო ძიებანი“*, წელიწდეული	XII	თბილისი, მერიდიანი	11
15	მერაბ კალანდაძე, თამარ ანთაძე	საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქის შესწავლის საკვანძო	XII	თბილისი, მერიდიანი	12

		ეტაპები. *„საისტორიო ძიებანი“*, წელიწდეული			
16	ფატი შეყლაშვილი	კოსოვოს სერბების საკითხი მეორე მსოფლიო ომის დროს. *„საისტორიო ძიებანი“*, წელიწდეული	XII	თბილისი, მერიდიანი	7
17	თამარ ანთაძე	ვარლამ ჩერქეზიშვილი ჯორჯ ვაშინგტონსა და აბრაამ ლინკოლნზე. ამერიკის შესწავლის საკითხები	VI	თბილისი, თსუ გამომცემლობა	10
18	თამარ ანთაძე	ავსტრიელი დიპლომატი მეტერნიხი. ქართული დიპლომატია, წელიწდეული	17	თბილისი, არტანუჯი	15
19	ზაალ გოგენია	„ოპერაცია ნიკოლაი“ და ანდრე ნინის საქმე. *„საისტორიო ძიებანი“*, წელიწდეული	XII	თბილისი, მერიდიანი	16

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. ლევან გორდეზიანი
ანითას ტექსტი

სტატიაში მოცემულია ანითას ტექსტის თარგმანი ხეთურიდან შესაბამისი კომენტარებით.

2. მარიკა მშვილდაძე
საქართველოს ებრაელთა სოციალური სტატუსის კვლევისათვის

ნაშრომში არქეოლოგიური ძეგლებისა და წერილობითი წყაროების ანალიზის საფუძველზე შესწავლილია ქართლის ებრაელთა სოციალური სტატუსი. კვლევის შედეგად დგინდება, რომ ქართლში ებრაელებს საკმაოდ მაღალი სოციალური სტატუსი გააჩნდათ. არ არის გამორიცხული, რომ მათ მაღალი სახელმწიფო თანამდებობებიც ეკავათ.

3. მარიკა მშვილდაძე
აფროდიტეს კულტის გავრცელების საკითხისათვის იბერიაში (ურბნისი)

ნაშრომში შესწავლილია რამდენად იყო გავრცელებული ანტიკური ხანის იბერიაში, კერძოდ კი ქალაქ ურბნისში ანტიკურ სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ღვთაების აფროდიტეს (ვენერა) კულტი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სტატიაში გაანალიზებულია ურბნისის ტერიტორიაზე აღმოჩენილი აფროდიტეს გამოსახულებიანი სამი გემა, რომელთა შორის ორი ურბნისის სამაროვანზე, ხოლო ერთი (გემა ინახება საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკის სიძველეთა განყოფილებაში) ურბნისის ტერიტორიაზე იქნა მოპოვებული. განხილული გლიპტიკური ძეგლების ქრონოლოგიური ჩარჩოები, ძვ. წ. I ს-ის ბოლო წლებითა და ახ. წ. III ს-ით განისაზღვრა, რაც გვიან ანტიკურ პერიოდს ემთხვევა. კვლევის შედეგად დგინდება, რომ აღნიშნულ პერიოდში ურბნისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე მართლაც ჩანს გავრცელებული აფროდიტეს (ვენერას) კულტი, რაც ქალაქის ხელსაყრელი მდებარეობით შეიძ-

ლება აიხსნას. ზემოაღნიშნული სამი გემა სხვადასხვა საუკუნეებით თარიღდება. შესაბამისად, ერთი გემის ფიქსაცია საუკუნეში ღვთაების პოპულარობის მტკიცებისათვის საკმარისად არ მიგვაჩნია.

4. მურმან პაპაშვილი
ერთი უცნობი წყარო საქართველოში საფრანგეთის მისიონის დაარსების შესახებ (XVII საუკუნის 80-იანი წლები)

სტატიაში დადგენილია წყაროს ავთენტურობა და მნიშვნელობა ქართული წყაროთმცოდნეობისათვის. დოკუმენტის ინფორმაციაზე დაყრდნობით დასაბუთებულია, რომ საფრანგეთის სამეფო კარის დაინტერესება საქართველოს მიმართ არა XVIII საუკუნის 10-იან წლებში დაიწყო, როგორც ეს აქამდე იყო მიღებული ქართულ ისტორიოგრაფიაში, არამედ XVII საუკუნის 80-იანი წლებიდან.

5. მურმან პაპაშვილი
ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ანტიკათოლიკური პროპაგანდა ოდიშის სამთავროში.

სტატიაში პირველწყაროების საფუძველზე გამოკვლეულია 1639-1640 წწ. თუ რა სახის ანტიკათოლიკურ პროპაგანდას ეწეოდნენ ოდიშის სამთავროში მყოფი რუსი ელჩები ფედოტ ელჩინი და პავლე ზახარიევი. ეს უკანასკნელნი ოსტატურად შეუდგნენ ფანტაზიით მოცულ ანტიკათოლიკურ პროპაგანდას და კათოლიკური სარწმუნოების მიმართ რუსეთში არსებული სიძულვილის ქართულ ნიადაგზე დანერგვას. ეს მიმართული იყო იქითკენ, რომ ოდიშის მთავარს ლევან II დადიანს არ აეღო ორიენტაცია „მწვალებლურ“ დასავლეთზე და მის სულიერ მეთაურ რომის პაპზე.

6. თეა ქარჩავა
საზოგადოება, ეკლესია და კანონი, 1150-1250 (ბრიან ტიერნი)

წარმოდგენილია ცნობილი ინგლისელი მედიევისტი მეცნიერი ბრაიან ტიერნის (+1922) რომელიც თავისი სპეციალობის ცოცხალი კლასიკოსია, სტატიის თარგმანი, რომელსაც ახლავს მცირე წინასიტყვაობა მეცნიერისა და მისი სამეცნიერო ინტერესების შესახებ.
ჩემ მიერ სათარგმნად შერჩეული სტატია (რომელიც მის მიერ უელსში წაკითხული ლექციების წიგნად ქცეული ნაშრომის მე-2 თავი გახლავთ, სახელწოდებით – რელიგია, კანონი და კონსტიტუციონალური აზროვნების განვითარება 1150-1650, Religion, Law, and the Growht of Constitutional Thought, 1150-1650, Camridge University Press, 1982; 2008.) საერო და სასულიერო ხელისუფლების ურთიერთობას, ინსტიტუციონალურ განვითარებას ეძღვნება, რაშიც ავტორი ლათინური დასავლეთ ევროპის სპეციფიკურ მახასიათებლებს ხედავს და ამ თემას თავის ადრეულ ნაშრომებშიც ფართოდ აშუქებს.

7. თეიმურაზ პაპასქირი
თურქეთის საკითხი სსრკ-გერმანიის ურთიერთობებში 1940 წელს

სტატიაში, მრავალრიცხოვანი დოკუმენტური წყაროებისა და არსებული ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე განხილულია თურქეთისადმი სსრ კავშირის ტერიტორიული პრეტენზიების საკითხი. თურქეთის საკითხი საბჭოთა საგარეო პოლიტიკაში ყოველთვის მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მან შეიძინა 1940 წლის ივნისში საფრანგეთის კაპიტულაციის შემდეგ. გერმანიისა საგარეო საქმეთა სამინისტროს მე-5 და მე-6 „თეთრი წიგნების“ პუბლიკაციამ საბჭოთა მთავრობას თავისი მოთხოვნების

წამოსაყენებლად საჭირო საბაბი მისცა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მომენტისათვის არ არის აღმოჩენილი იმის პირდაპირი დოკუმენტური დასაბუთება, რომ საბჭოთა მხარემ თურქეთს 1940 წლის ზაფხულში ტერიტორიული პრეტენზიები წარუდგინა, არსებობს უამრავი წყარო, რომელიც ადასტურებს, რომ სსრ კავშირს სურდა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების თავისი კონტროლის ქვეშ მოქცევა. არსებობს აგრეთვე მონაცემები საბჭოთა პრეტენზიების შესახებ ყარსისა და არტაანის ოლქებთან მიმართებაში, რასაც თურქულმა მხარემ უპასუხა მობილიზაციით როგორც საზღვრისპირა რაიონებში, ისე სრუტეების მიდამოებში.
თურქეთის მიმართ საბჭოთა ტერიტორიული პრეტენზიების პირველ დოკუმენტურ დასაბუთებად შეიძლება ჩაითვალოს დირექტივა, რომელიც მიეცა ვ. მოლოტოვს 1940 წლის ნოემბერში ბერლინში მისი ვიზიტის წინ. საბჭოთა ლიდერის, იოსებ სტალინის ინსტრუქციის თანახმად, „თურქეთისა და მისი ბედ-იღბლის საკითხი არ შეიძლება გადაწყდეს ჩვენი მონაწილეობის გარეშე, რადგანაც თურქეთში ჩვენ გაგვაჩნია სერიოზული ინტერესები“. კიდევ უფრო ცალსახად მეტყველებს ამ ფაქტზე სტალინის მეორე დირექტივა, რომელიც მოლოტოვს მოლაპარაკებების მორიგი რაუნდის წინ, 13 ნოემბერს მიეცა: „თუ გერმანელები შემოგვთავაზებენ თურქეთის გაყოფას... გავხსნათ... ქაღალდი დირექტივის თანახმად“. როგორც გაირკვა, საბჭოთა მხარემ არასწორად გააზრა გერმანიის ხელისუფლების პოზიციები. ადოლფ ჰიტლერი მიხვდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ბულგარეთისათვის გარანტიების მიცემისა და სრუტეების მიდამოებში ბაზის შექმნის შესახებ მიმართული იყო არა მხოლოდ თურქეთის, არამედ რუმინეთის წინააღმდეგაც. მან სცადა, საბჭოთა ექსპანსია ინდოეთის ოკეანის მიმართულებით მიემართა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. თავის მხრივ, საბჭოთა ხელისუფლებამ, გერმანელებთან მოლაპარაკებების ჩაშლის შემდეგაც სცადა თავისი მიზნების განხორციელება, ამჯერად ბულგარეთის მეშვეობით, მაგრამ ბულგარეთის ხელისუფლება უარი თქვა თურქეთის წინააღმდეგ ღიად გამოსვლაზე. ამავე დროს, ჰიტლერი, რომელიც დარწმუნდა, რომ სტალინი აგრძელებდა თავის მცდელობებს, თავისი კონტროლის ქვეშ მოექცია სრუტეები და ბულგარეთი, ხელი მოაწერა „ოპერაცია ბარბაროსას“ გეგმას. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ თურქეთის მიმართ საბჭოთა ტერიტორიულმა პრეტენზიებმა დააჩქარა ყოფილ მოკავშირეებს შორის კონფლიქტის წარმოშობა.

8. მერაბ კალანდაძე
კოტე ანთაძე და საფრანგეთის დიდი რევოლუცია

ნაშრომში ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად არის განხილული პროფესორ კოტე ანთაძის წვლილი საფრანგეთის დიდი რევოლუციის წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიისა და ისტორიის შესწავლის საქმეში.

9. მერაბ კალანდაძე, თამარ ანთაძე
ნაპოლეონ ბონაპარტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი ეტაპები

ნაშრომს შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია და ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი – სტუდენტებს შეახსენებს ნაპოლეონ ბონაპარტისა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითად მომენტებს.

10. მერაბ კალანდაძე
დიმიტრი უზნაძე გერმანიის და იტალიის გაერთიანებაზე

ნაშრომში შესწავლილია დიმიტრი უზნაძის წვლილი ისტორიულ მეცნიერებაში, კერძოდ, XIXს. II ნახევარში მიმდინარე ორ უმნიშვნელოვანეს მოვლენაზე – გერმანიისა და იტალიის გაერთიანებაზე. ამ კუთხით ისტორიოგრაფიაში ეს საკითხი შესწავლილი არ ყოფილა და ეს არის მისი შესწავლის პირველი მცდელობა.

11. მერაბ კალანდაძე
დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის ისტორიოგრაფიის შესწავლა თანამედროვე ქართულ მედიევისტიკაში

აღნიშნულ ნაშრომში პირველად არის განხილული დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის ისტორიოგრაფიის შესწავლის ძირითადი მომენტები თანამედროვე ქართულ მედიევისტიკაში.

12. მერაბ კალანდაძე
ახალი ისტორიის ზოგიერთი საკვანძო საკითხის პერიოდიზაციის თაობაზე

ნაშრომში საუბარი არის 30-წლიანი ომის, ფრონდის, ინგლისის რევოლუციის და საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციის შესახებ.

13. მერაბ კალანდაძე
ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილი – დიდი ერუდიტი და ინტელიგენტი

სტატია ეძღვნება ღვაწლმოსილ მეცნიერს ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილს და წარმოადგენს მის გახსენებას.

14. მერაბ კალანდაძე
გივი კიღურაძე ამერიკის ახალი ისტორიის საკითხებზე

პროფ. გივი კიღურაძემ თავისი წვლილი შეიტანა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში. მნიშვნელოვანწილად, სწორედ, ამით აიხსნება, რომ ეს დაინტერესება უმთავრესად ასახვას პოვებს სახელმძღვანელოში. ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის პოპულარიზაცია პროფ. გივი კიღურაძემ რამდენიმე მიმართულებით წარმართა. ის არ შემოიფარგლა მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების ემპირიული, ფაქტოლოგიური ისტორიის პოპულარიზაციით და დიდი ყურადღება დაუთმო ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის და ისტორიოგრაფიის საკითებს. განსაკუთრებით საინტერესოდ მიგვაჩნია მისი დაინტერესება თეორიული საკითხებით, რომელზეც ქართულ ენაზე დღემდე თითქმის არაფერი იწერება. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი, სწორედ, პროფ. გივი კიღურაძემ გადადგა. მან აირჩია სერიოზული მეცნიერული პრობლემა და მოგვცა მისი მარქსისტული გაშუქება. ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის პოპულარიზაციამ მეცნიერული ელფერი შეიძინა, მაგრამ ცალმხრივი ხასიათ მიიღო და ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ყალიბში აღმოჩნდა მოქცეული. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“.

15. მერაბ კალანდაძე, თამარ ანთაძე
საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქის შესწავლის საკვანძო ეტაპები

საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქის ისტორიით დაინტერესებას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს და საინტერესო გზა განვლო. აღნიშნული პრობლემის გაშუქების საკვანძო მომენტებად უნდა მივიჩნიოთ:
საქართველოში აღნიშნული საკითხით დაინტერესების ათვლის წერტილად XIX საუკუნის დასაწყისი უნდა ავიღოთ, როდესაც ჩნდება ცალკეული სპორადული ცნობები აღნიშნულ თემაზე.
ისტორიულმა მონაკვეთმა XIX საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 60-იან წლებამდე ამ დაინტერესების უვერტიურად გაიაღერა და, ჩვენი აზრით, მის შესავალად, წი-

ნაისტორიად შეიძლება მივიჩნიოთ.
XIX საუკუნის 60-იან წლებში ეს დაინტერესება ახალ ფაზაში შედის. აღნიშნული თემატიკით დაინტერესება ჟურნალისტიკის, პუბლიცისტიკის, ჩარჩოებში თავსდება და პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზეა ორიენტირებული. ეს მონაკვეთი 1918 წლამდე გრძელდება და სამ ქვეპერიოდად შეიძლება დაიყოს.
მეორე პერიოდს მკვეთრად გამოკვეთილი ქრონოლოგიური ჩარჩოები გააჩნია. აღნიშნული საკითხის შესწავლა დამოუკიდებელ საქართველოში. 1918-1981 წწ. ამ თემატიკის პოპულარიზაცია მეცნიერულ ელფერს იძენს. იკვეთება საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქის ისტორიის სერიოზული გაშუქების კონტურები. წანამძღვრები. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს დამოუკიდებელ საქართველოში გამოსული ახალი ისტორიის პირველი სახელმძღვანელოები. ეს სახელმძღვანელოები საქართველოში ამ პრობლემის ლიბერალური გააზრების მწვერვალად, კულმინაციად, მიგვაჩნია.
მკვეთრად შეიცვალა ვითარება საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, რომელიც თავდაპირველი გზის გაგრძელებად ძნელია მივიჩნიოთ. ამ პრობლემით დაინტერესება მეცნიერულ დატვირთვას იძენს, მაგრამ ცალმხრივ ხასიათს ატარებდა და ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ჩარჩოებში აღმოჩნდა მოქცეული.
90-იანი წლების დასაწყისში დაიშალა საბჭოთა კავშირი. აქედან მოყოლებული იწყება ამ თემატიკით დაინტერესების მეოთხე პერიოდი, რომელიც დღესაც გრძელდება. ეს შრომები ამ საკითხის გაშუქების ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნების გზაზე გადადგმულ პირველ მოკრძალებულ ნაბიჯებად გვევლინება.

16. ფატი შეყლაშვილი
კოსოვოს სერბების საკითხი მეორე მსოფლიო ომის დროს

ის, რაც კოსოვოსა და მეტოქიაში მოხდა სულ ახლო ისტორიულ წარსულში, ადვილად პოულობს ანალოგს კოსოვოს ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე მძიმე პერიოდთან, რომელიც უკავშირდება მეორე მსოფლიო ომს.
1941 წლის აპრილში, ფაშისტებთან იუგოსლავიის მარცხისთანავე, ქვეყანაში დამყარდა საოკუპაციო რეჟიმი, რომლის ხელშეწყობით ალბანელმა ნაციონალისტებმა გააჩაღეს ტერორისტული საქმიანობა სერბი მოსახლეობის წინააღმდეგ. დაიწყო სერბეთიდან და ჩერნოგორიიდან სერბული ელემენტის გაძევება, ფიზიკური ლიკვიდაცია, მათი სახლების და ქონების დატაცება.
მძიმე დღეში აღმოჩნდნენ სერბეთის ყოფილი საზღვრისპირა პროვინციის, კოსოვოს, სერბებიც. სამხედრო ხელისუფლება იტალიურმა არმიამ იგდო ხელთ. შეიქმნა ჟანდარმერია, მოგვიანებით კი – ალბანურ-იტალიური პოლიცია, სადაც ჭარბობდა ალბანელთა გავლენა. სერბების დაპატიმრების ახალი ეტაპი გაგრძელდა 1943 წლამდე. მათ გზავნიდნენ საკონცენტრაციო ბანაკებში. ტერორის ახალ ტალღაში აქტიურად ჩაერთნენ ხორვატი უსტაშებიც. იტალიელებმა, ემზადებოდნენ რა კაპიტულაციისთვის, სამოქალაქო ხელისუფლება ჯერ კიდევ ზაფხულში, თანდათან გადააბარეს ალბანელებს. შედეგად, სერბები სრულად მოექცნენ ალბანელების ტერორში. მეტოქიის ნაწილი ფორმალურად იქნა ანექსირებული ალბანეთის სასარგებლოდ.
გერმანელებთან შეთანხმების თანახმად, ალბანელები მეტოქიის დარჩენილ ნაწილს და მთლიანად კოსოვოს „ახალ ალბანეთად“ მოიაზრებდნენ. კოსოვოს და მეტოქიის წარმომადგენლები შეიყვანეს ტირანას ერთიან ალბანურ პარლამენტში, „დიდი ალბანეთის“ შექმნის იდეა თანდათან რეალური ხდებოდა.
სერბული ეთნოსის შევიწროების ხარჯზე ალბანური გავლენა გაძლიერდა კოსოვოს ავტონომიურ ოლქში. ოკუპანტებისგან ქვეყნის განთავისუფლების შემდეგაც კი განდევნილმა სერბებმა ვერ შეძლეს დაბრუნებოდნენ წინანდელ კერას. იუგოსლავიის კომუნისტურმა ხელისუფლებამ ხელმძღვანელობდა რა პოლიტიკური მოტივებით, შეაფერხა მათი დაბრუნების საკითხი.
საუკუნეების განმავლობაში სერბების მუდმივმა დევნამ, ომის დროს განხორციელე-

ბულმა გენოციდმა და მათ წინააღმდეგ ჩადენილმა მსგავსმა დანაშაულებმა, კოსოვოს სერბების დემოგრაფიული მდგომარეობა, მკვეთრად გააუარესა. ეს ფაქტორი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა თანამედროვე ეტაპზე კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაში.

17. თამარ ანთაძე
ვარლამ ჩერქეზიშვილი ჯორჯ ვაშინგტონსა და აბრაამ ლინკოლნზე

ნაშრომი ისტორიოგრაფიული ხასიათისაა და მასში, პირველად ისტორიულ მეცნიერებაში, განხილულია ვარლამ ჩერქეზიშვილის შეხედულებები აშშ-ს ორ გამორჩეულ პრეზიდენტზე – ჯორჯ ვაშინგტონსა და აბრაამ ლინკოლნზე.

18. თამარ ანთაძე
ავსტრიელი დიპლომატი მეტერნიხი

ნაშრომი ეხება გამოჩენილი ავსტრიელი დიპლომატის კლემენს მეტერნიხის ცხოვრებასა და მოღვაწეობას და მას შემეცნებითი მნიშვნელობა გააჩნია.

19. ზაალ გოგენია
„ოპერაცია ნიკოლაი“ და ანდრე ნინის საქმე

1936 წელს სტალინის მითითებით დაწყებული ანტიტროცკისტული კამპანიის უშუალო მსხვერპლი გახდა კატალონიაში მოქმედი, მარქსისტული ერთიანობის მუშათა პარტია – „პოუმი” და მისი ლიდერი ანდრე ნინი. ანდრე ნინის საქმესთან დაკავშირებით ბევრი კითხვის ნიშანია და ის აშკარად სცდება ისტორიოგრაფიულ საზღვრებს. ომის დროს ნინის გაქრობას ყველა თავისებურად ხსნიდა. 55 წელი დასჭირდა აქამდე არსებული ვერსიების დაადასტურებას. დოლორეს ჟენოვესის კვლევამ და მისმა დოკუმენტურმა ფილმმა „ოპერაცია ნიკოლაი” რომელიც კატალონიის ტელევიზია ტვ3-მა აჩვენა 1992 წლის დეკემბერში ბევრ კითხვას გასცა პასუხი.
მიუხედავად ამისა თანამედროვე ისტორიკოსების მიერ გამოთქმულია განსხვავებული ვარაუდები „ოპერაცია ნიკოლაის“ კონკრეტულ დეტალებთან დაკავშირებით. ამ მხრივ საინტერესო დასკვნებს აკეთებენ, ელენ გრაჰამი, ანხელ ვინიასი და სხვები. საინტერესოა საქმის არამეცნიერული შეფასებებიც, რა დროსაც დასკვნები არაა დოკუმენტებით გამყარებული და ხშირ შემთხვევაში თავდაყირა აყენებს ნამდვილ ისტორიას.
სხვადასხვა ვერსიების, საარქივო მასალების და სათანადო ლიტერატურის შესწავლა განზოგადების შედეგად შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

1. პოუმთან ბრძოლაში კრემლის ჩართულობა თავიდანვე არანაირ ეჭვს არ იწვევს და ამას მოწმობს საარქივო დოკუმენტები კომუნისტური ინტერნაციონალის თუ სუკის არქივებიდან.
2. შეთქმულება პოუმის წინააღმდეგ და ანდრე ნინის მკვლელობა დაგეგმილი იყო ესპანეთში ნკვდ წარმომადგენლის ალექსანდრე ორლოვის და მისი აგენტების მიერ. კომინტერნის წევრებიც აქტიურობდნენ ოპერაციის სხვადასხვა ეტაპზე.
3. ესპანელებს არანაკლები პასუხისმგებლობა ეკისრებათ ამ საქმეში. ამ პუნქტში ჩნდება კითხვები საბოლოო გატაცებაში და მკვლელობაში მონაწილეობდნენ თუ არა ესპანელები. პასუხი დადებითია, თუმცა დღემდე არაა ცნობილი მათი ვინაობა.
4. რესპუბლიკური მთავრობის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით არიან ავტორები რომლებიც მთავრობის და კონკრეტულად ნეგრინის პასუხისმგებლობას ან გამორიცხავენ ან ამსუბუქებენ. მართალია ნინის საქმე მთავრობის კონტროლს გარეთ იყო, მაგრამ ფაქტია, ნეგრინმა მიიღო ის ახსნა-განმარტებები რომელიც მას მზა სახით მიაწოდეს ორლოვმა და მისმა აგენტებმა.

5. არის კონკრეტული კითხვები ცალკეულ დეტალებთან დაკავშირებით რომლებზეც პასუხი დღემდე არ არსებობს.

II. 2. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Marika Mshvildadze	The Antique Deities in Georgia (Charites), ”Pro Georgia”, Journal of Kartvelological Studies, Centre for East European Studies, Oriental Institute,	24	Warsaw	6

		University of Warsaw			

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. მარიკა მშვილდაძე – ნაშრომში შესწავლილია, თუ რამდენად იყო გავრცელებული ანტიკური ხანის საქართველოში (იბერია, კოლხეთი), ქარიტების კულტი და რამდენად თავსდება, ამ მხრივ, იბერია და კოლხეთი ანტიკურ ხანაში არსებულ საერთო რელიგიურ კონტექტში. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ქარიტების კულტი ანტიკურ ხანაში შესული ჩანს როგორც იბერიაში, ისე კოლხეთში. კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე ქარიტების გამოსახულების ორი შემთხვევაა დაფიქსირებული. ერთი აღმოსავლეთ (ქალაქ ძალისას მოზაიკური იატაკზე დაფიქსირებული ქარიტი აგალაიას გამოსახულება), ხოლო მეორე დასავლეთ საქართველოს (ბიჭვინთის ნაქალაქარზე აღმოჩენილ კამეოზე) ტერიტორიაზე. ჩვენ მიერ განხილული ქარიტებთან დაკავშირებული არქეოლოგიური მასალის ქრონოლოგიური ჩარჩოები ახ. წ. III-IV საუკუნეებით განისაზღვრა, რაც გვიან ანტიკურ პერიოდს ემთხვევა. კვლევის შედეგად დგინდება, რომ როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ანტიკურ ხანაში, გავრცელებული ჩანს ქარიტების (გრაციების) კულტი. მაგრამ ღვთაების ამა თუ იმ ტერიტორიაზე შესვლა და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მათი გაცნობა ერთი საკითხია, ხოლო პოპულარობა მეორე, რასაც საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებული არქეოლოგიური მასალის საფუძველზე, ქარიტებთან დაკავშირებით ვერ ვიტყვით. შესაბამისად, მოპოვებული მასალა საკმარისად არ მიგვაჩნია ღვთაებების პოპულარობის მტკიცებისათვის.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ლევან გორდეზიანი, ირინე ტატიშვილი	ხეთური ელემენტები არმაზის კულტში	თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დაარსებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია, თბილისი, 19.12.15
2	მარიკა მშვილდაძე, გურამ ლორთქიფანიძე	ქართლის (იბერია) სამეფოს „რომანიზაციის“ კულტუროლოგიური ასპექტები (I-III სს.)	საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი I, ქართველოლოგიის პრობლემები და პერსპექტივები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 14-15 ნოემბერი
3	მარიკა მშვილდაძე	ადრეული ქრისტიანობა ქართლში	აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის დაბადების 85-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

			„საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები მოდელირება, მართვა-2015 (სკტ-მმ 2015), თბილისი 3-5 ნოემბერი.
4	მარიკა მშვილდაძე	სახელმწიფო წყობის რელიგიური ასპექტები გვიან ანტიკური პერიოდის რომის იმპერიაში	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეცხრე სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი გიორგი ჩიტაიას დაბადებიდან 125 წლისთავისადმი, თბილისი, 24-25 ივნისი
5	მარიკა მშვილდაძე	ქრისტიანობის გავრცელების საკითხისათვის ჩინეთში	შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის I სამეცნიერო კონფერენცია (შორეული აღმოსავლეთი: ისტორია, რელიგია, კულტურა), 15-16 ოქტომბერი
6	მარიკა მშვილდაძე	ანტიკური კულტები (ათენა) საქართველოში	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია. თსუ, 12-13 ნოემბერი
7	მურმან პაპაშვილი	XVII საუკუნის I ნახევრის იტალიურენოვანი წყაროები საქართველოს შესახებ	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „საქართველო შუა საუკუნეების ევროპული (დასავლეთევროპული) წყაროების მიხედვით“. სტუ, 2015 წლის 17 აპრილი
8	მურმან პაპაშვილი	XVII საუკუნის იტალიურენოვანი წყაროები ქართველი ქალების შესახებ	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მსოფლიო და გენდერი“ – 3. თბილისი, სტუ, 2015 წლის 23 ოქტომბერი
9	თეიმურაზ პაპასქირი	დასავლეთის თვალით დანახული XXI საუკუნის დასაწყისის რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკა (რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის მაგალითზე)	24 დეკემბერი, თბილისი. თსუ ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის VIII ყოველწლიური კონფერენცია
10	მერაბ კალანდაძე	ფრანგი ისტორიკოსი პიერ შონიუ ამერიკის დამოუკიდებლობისათვის ომზე	14-16 მაისი, თბილისი. ამერიკისმცოდნეობის XVI ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია, თსუ.
11	მერაბ კალანდაძე	ვარლამ ჩერქეზიშვილი და დასავლეთ ევროპის ისტორიოგრაფია	17-18 ივნისი, თბილისი. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუ-

			მანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეცხრე სა-ფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია
12	მერაბ კალანდაძე	საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შეფასები-სათვის	24 დეკემბერი, თბილისი. თსუ ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის VIII ყოველწლიური კონფერენ-ცია
13	ლეილა (ია ხუბაშვილი)	ვატიკანის საგარეო პოლიტი-კა მეორე მსოფლიო ომში	3-4 ივნისი, თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ეროვნული კონფერენცია: მეორე მსოფლიო ომი და სამხრეთ კავკასია
14	ლეილა (ია ხუბაშვილი), ზაურ კუნჭულია	ვატიკანისა და ჩინეთის თანა-მედროვე ურთიერთობების ვექტორები	შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის I სა-მეცნიერო კონფერენცია (შორეული აღმოსავლეთი: ისტორია, რელიგია, კულ-ტურა), 15-16 ოქტომბერი
15	ლეილა (ია ხუბაშვილი)	პიუს IX-ის სილაბუსი და ლიბერალურ-კონსტიტუციური რეფორმები	24 დეკემბერი, თბილისი. თსუ ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის VIII ყოველწლიური კონფერენ-ცია
16	ფატი შეყლაშვილი	ნაციონალ-სოციალისტური ქალთა ორგანიზაციები მესა-მე რაიხში	17-18 ივნისი, თბილისი. თბილისის ივანე ჯავახიშ-ვილის სახელობის სახელ-მწიფო უნივერსიტეტის ჰუ-მანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეცხრე სა-ფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია
17	ფატი შეყლაშვილი	ნაცისტური სიმბოლოების სა-კითხისათვის	24 დეკემბერი, თბილისი. თსუ ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის VIII ყოველწლიური კონფერენ-ცია
18	თამარ ანთაძე	1812-1814 წლების ამერიკა-ინგლისის ომის მიზეზები საბჭოთა ისტორიოგრაფიაში	14-16 მაისი, თბილისი. ამერიკისმცოდნეობის XVI ყოველწლიური საერთაშო-რისო კონფერენცია, თსუ.
19	თამარ ანთაძე	ვარლამ ჩერქეზიშვილი ინგლისის რევოლუციის ბელადებზე	17-18 ივნისი, თბილისი. თბილისის ივანე ჯავახიშ-ვილის სახელობის სახელ-მწიფო უნივერსიტეტის ჰუ-მანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეცხრე სა-ფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია

20	თამარ ანთაძე	ვარლამ ჩერქეზიშვილი გარიბალდიზე და მაძინიზე	24 დეკემბერი, თბილისი. თსუ ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის VIII ყოველწლიური კონფერენცია
21	ზაალ გოგენია	ნეიტრალიტეტის პრობლემა მეორე მსოფლიო ომში ესპანეთისა და პორტუგალიის მაგალითზე (კომპარატივისტული ანალიზი)	3-4 ივნისი, თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ეროვნული კონფერენცია: მეორე მსოფლიო ომი და სამხრეთ კავკასია
22	ზაალ გოგენია	სამოქალაქო ომის დაწყება ესპანეთში და საფრანგეთის მთავრობის პოზიცია (1936 წლის 18-25 ივლისი)	17-18 ივნისი, თბილისი. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეცხრე საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია
23	ზაალ გოგენია		24 დეკემბერი, თბილისი. თსუ ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის VIII ყოველწლიური კონფერენცია

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1. ლევან გორდეზიანი
ხეთური ელემენტები არმაზის კულტში

მოხსენებაში განხილულია ხეთური ელემენტები არმაზის კულტში.

2. მარიკა მშვილდაძე
ქართლის (იბერია) სამეფოს „რომანიზაციის“ კულტუროლოგიური ასპექტები (I-III სს.)

ბერძნულ-რომაული წერილობითი წყაროების იბერია, ქართლის სამეფო ახ. წ. I-III სს-ში თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, რომის იმპერიის სტრატეგიული ინტერესების სფეროში მოექცა. აღნიშნული გარემოება კარგად აისახა რომაულ გვიანანტიკური ხანის სამხედრო რუკებზე. იბერიაზე გადიოდა „აბრეშუმის გზის“ მნიშვნელოვანი სავაჭრო კომუნიკაციები. მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა კეთილმოწყობა რომის იმპერიის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ინტერესებში შედიოდა. გარდა ამისა, რომის სენატის მიერ ოფიციალურად „რომაელი ხალხისა და კეისრის მეგობრად“ სახელდებული იბერები მოწოდებულნი იყვნენ უზრუნველყოთ იმპერიის საზღვრების შორეული მისადგომების უსაფრთხოება; გამოეყვანათ დამხმარე ჯარები და ჩაეკეტათ ჩრდილოკავკასიის უღელტეხილები ნომადების შემოსევებისაგან, რაც მნიშვნელოვან მატერიალურ ხარჯებს, თავდაცვითი ნაგებობების აღდგენა-მშენებლობებს მოითხოვდა.

ქართლის სამეფო „Pax Romana“-ს სივრცეში ახ. წ. I ს-დან მოიაზრება. ბუნებრივია, ქვეყანა იმპერიის შეიარაღებული ძალების, ლეგიონების კონტროლს ექვემდებარებოდა. სამხედრო ძალებთან ერთად არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა მიზანდასახულ იდეოლოგიურ პოლიტიკას, ე. წ. „კულტურულ ექსპანსიას“. რომის იმპერია ცდი-

ლობდა თავისი იდეოლოგიური ზეგავლენა მოეხდინა არა მარტო ახლადშემოერთებულ პროვინციებზე, არამედ აღმოსავლეთის მეფე-მოკავშირეებზე. მათი „რომანიზაცია“ იმპერიის სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების სფეროში შედიოდა. განსაკუთრებით ნათლად გამოიხატა „რომანიზაციის“ იდეოლოგიური არსი, მიზანმიმართულება ოქტავიანე ავგუსტუსის (ძვ. წ. 27-ახ. წ. 14 წწ.) ეპოქიდან.

წერილობითი წყაროები და საქართველოში უკანასკნელ წლებში გამოვლენილი არქეოლოგიური არტექფაქტები გვიჩვენებენ თუ რა მაღალ დონეს მიაღწია I-III სს-ში ქართლის მმართველი წრეების სამეფო კარის „რომანიზაციამ“. მათ მჭიდრო, შესაძლოა დინასტიური კავშირები გააჩნდათ რომის ნობილიტეტთან. რომაულ ყაიდაზე გახლდათ მოწყობილი და შეიარაღებული ქართლის სამეფო ჯარი. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი ცალკეული ქვედანაყოფები წერილობითი ბრძანებებით იმართებოდა. რომაული ქალაქდაგეგმარების პრინციპების საფუძველზეა აგებული პტოლემაიოსთან მოხსენიებული ქალაქი ძალისა, მცხეთასთან მუხრანის ველზე. აქ გამოვლენილია ატრიუმიანი სასახლის კომპლექსი, ტაძარი, მოზაიკიანი რომაული თერმები საცურაო აუზით, ტყვიის წყალგაყვანილობის ქსელი, ტიპიური სალეგიონო ყაზარმები და ციტადელი. მთელ ქართლში ვრცელდება რომაული წარმოშობის ფუფუნებისა და მასობრივი მოხმარების სახელოსნო ნაწარმი, ძვირფასი ლითონის სუფრის ჭურჭელი. მათ შორისაა რელიგიური საწესო დანიშნულების საგნები პატერები და სურები, საიუველირო ნაწარმი, სამკაულები და სხვ. ქვეყნის ფულადი მიმოქცევის საფუძველს რომაული ვერცხლის (დენერები) და ოქროს (აურეუსები) მონეტები შეადგენდნენ. გვხვდება მათი ადგილობრივი მინაბაძები. რომის იმპერატორები ქართლის მეფეებსა და მმართველი ელიტის წარმომადგენლებს პიტიახშ-ერისთავებს ხშირად ძვირფასი საჩუქრებით ახალისებდნენ. ასეთი ძვირფასი საიმპერატორო კარის საჩუქრები ცნობილია ზღუდერის, არმაზისხევის, სამთავროს და ბაგინეთის სამარხებიდან. არქეოლოგიური მასალა ადასტურებს, რომ ახ. წ. I-III სს-ში განათლების დონე იბერიაში საკმაოდ მაღალი ყოფილა. საწერი მოწყობილობები, ბრინჯაოს, ვერცხლის და ოქროს სამელნეები, მათ შორის რომში კალპურნიუსის ცნობილი სახელოსნოს ნაწარმი სამთავროს სამაროვანზეა აღმოჩენილი.

რომის იმპერიის წინაშე დამსახურებისათვის მისი მოკავშირე (socii) ქართლის მეფეები რომის მოქალაქის (Civis Romanus) საპატიო წოდებასაც ფლობდნენ. ჩვეულებრივ, სენატი დიდი ზარზეიმით ანიშნავდა ამ მოვლენას. ამ ტიტულის მატარებლები იყვნენ ფლავიუს დადე, პუბლიუს აგრიპა და ახ. წ. III ს-ის მანამდე ჩვენთვის უცნობი მეფე I – „უსტამუს ევგენიოსი“. ეს სახელი ამოჭრილია ოქროს ფირფიტის ბერძნულ ჭვირულ წარწერაში, რომელიც აღმოჩნდა სვეტიცხოვლის ეზოში 2001 წ. №14 მდიდრულ აკლდამაში. აქ დაკრძალულ 50 წელს გადაცილებულ ქალს ჩატანებული ჰქონდა ასევე ბერძნულწარწერიანი გემიანი ჭრილაქვიანი ბეჭედი შვილების პორტრეტული გამოსახულებით. ზედწერილი გვამცნობს, რომ ეს არის „დედოფალი ულპია-მბრძანებელი“. როგორც ჩანს, ქართლის დედოფალს ეს სამეფო ბეჭედი სახსოვრად უბოძა რომის იმპერატორის ავრელიანეს (270-275წწ.) მეუღლემ ულპია სევერინამ (Ulpia Severina). ის მეუღლის მოკვლის შემდეგ, ორი თვის განმავლობაში ფაქტიურად მართავდა იმპერიას. ჩვენამდე მოაღწია ოქროს მონეტებმა მისი პორტრეტით, სადაც იგი „იუნონად“ და „ვენერად“ მოიხსენიება. თუმცა ოფიციალური რომაული კანონებით როგორც ქალს მას სახელმწიფოს მართვის უფლებას არ გააჩნდა.

იბერიის „რომანიზაციის“ პროცესის ხასიათი კარგად ჩანს იბერიის წარმართული პანთეონის იკონოგრაფიაზე. ქართლის სამეფოში ვრცელდება ისეთი ღვთაებების გამოსახულებები, როგორიცაა იუნონა, დემეტრა, დიანა, მარსი, ნიკე, ტიხე-ფორტუნა, აფროდიტე-ვენერა და სხვ. ისინი მეტწილად გლიპტიკურ ძეგლებზეა გამოსახული და მფლობელის, კონკრეტული პიროვნების რწმენა-წარმოდგენების მაჩვენებელია.

არქეოლოგიური მასალებიდან გამომდინარე დგინდება, რომ ახ. წ. I-III სს-ში „რომანიზაციის“ პროცესი იბერიის მოსახლეობის საშუალო და დაბალ ფენებს ნაკლებად შეეხო. ის ქვეყნის მმართველი ზედა ფენებისთვის ჩანს დამახასიათებელი.

3. მარიკა მშვილდაძე
ადრეული ქრისტიანობა ქართლში

მოხსენებაში ისტორიულ წყაროებზე, ეპიგრაფიკულ ძეგლებსა და არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით გაანალიზებულია აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ადრეულ ქრისტიანობასთან დაკავშირებული არქეოლოგიური მასალა. კერძოდ, სამთავროს სამაროვანზე მიკვლეული სამარხები, რომლებშიც მიცვალებულები დაუკრძალავთ გულაღმა გაშოტილ მდგომარეობაში, სახით აღმოსავლეთით და ფიქსირდება ქრისტიანული სიმბოლოები. ნასტაკისის ველზე მდ. მტკვრისა და მდ. ქსნის მარცხენა ნაპირზე აღმოჩენილი საცხოვრებელი ნაგებობები ჩაშენებული სათავსოებით – ეკლესიები, რომლებიც ახ. წ. III ს-ის II ნახევრით თარიღდება. ადრექრისტიანული აკლდამები ხერთვისში, მტკვრისა და არაგვის ხეობაში – თანამედროვე ქალაქის ტერიტორიაზე, სამთავროს სამაროვანზე... ქრისტიანული სიმბოლოების შემცველი სამარხების უმრავლესობა სხვადასხვა ტიპისაა და ძირითადად II-IV სს-ით თარიღდება. შესწავლილია აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძირითადად გემა-ინტალიოებზე ამოკვეთლი საკმაო რაოდენობით დაფიქსირებული ადრექრისტიანული სიმბოლოები (თევზი, ღუზა თევზებით, დელფინი, მტრედი...).

გაანალიზებულია არისტოკრატიისა და მმართველი წრეების წარმომადგენლების სამარხები, რომლებშიც ქრისტიანული დაკრძალვის წესია დაფიქსირებული – ერწოს ველის სოფელ მაგრანეთში ახ. წ. III ს-ით დათარიღებული მდიდრული №1 სამარხი, რომელშიც მოპოვებული მასალა მრავალ საერთოს ავლენს არმაზისხევის პიტიახშთა სამარხებში მოპოვებულ მდიდრულ ნივთებთან და სოციალურად იმავე საზოგადოების კუთვნილებად არის აღიარებული, რომელსაც მიეკუთვნებოდა არმაზისხევის მდიდრული სამარხები (სამარხში დაფიქსირებულია სანეკე ბეჭედი ქრისტიანული მონოგრამით ***"Iesus Xristos Palma Emeritta"***)... ბერძნულ ენაზე შესრულებული II-V სს-ის წარწერები...

კვლევის შედეგად დგინდება, რომ ე. წ. ქართველი ებრაელები ქართლში ახალი მონოთეისტური რელიგიის გამავრცელებლებად გვევლინებიან. რომ აღმოსავლეთ საქართველოს ებრაული თემი მთელ ცივილიზებულ სამყაროში არსებული დიდი იუდეური დიასპორის ნაწილს წარმოადენდა. ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებამდე, საკმაო რაოდენობის ახალი მონოთეისტური რელიგიის მიმდევარი ცხოვრობდა. ქრისტიანები იყვნენ ქვეყნის როგორც საშუალო და დაბალი ფენის, ისე არისტოკრატიისა და მმართველი წრეების წარმომადგენლები.

4. მარიკა მშვილდაძე
სახელმწიფო წყობის რელიგიური ასპექტები გვიან ანტიკური პერიოდის რომის იმპერიაში

მოხსენებაში განხილულია რომის სახელმწიფო წყობის რელიგიური ასპექტები III საუკუნის ბოლოსა და IV საუკუნეში და იმპერატორთა როლი ქვეყნის რელიგიური საკითხების წარმოებაში. პერიოდში, როდესაც ერთის მხრივ, რომის რელიგიური პანთეონი განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა, მეორეს მხრივ, მთავარ სახელმწიფო ღვთაებად მითრა იყო გამოცხადებული და იმავდროულად, სახეზეა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გადაქცევის წინაპირობები.

დიოკლეტიანედან მოყოლებული რომში საფუძველი ეყრება მმართველობის ახალ ფორმას დომინატს, როდესაც მიმდინარეობდა პოლიტიკური და იდეოლოგიური აპარატის ერთ ხელში მოქცევა და ქვეყნის მმართველების მიერ ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღება ამა თუ იმ, მათ შორის რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებით.

დიოკლეტიანეს გადაწყვეტილი ჰქონდა რომის ძველი დიდების აღდგენა, რის ნათელ

დადასტურებად მის მიერ გატარებული სახელმწიფო რეფორმები შეგვიძლია ჩავთვალოთ. დიოკლეტიანეს კარგად ესმოდა, რომ ძლიერი სახელმწიფო ერთიანი რელიგიის გარეშე შეუძლებელი იყო. ბუნებით კონსერვატორი იმპერატორი აქცენტს რომის უძველეს წარმართულ ღვთაებებზე აკეთებს. ებრძვის რომისათვის მიუღებელ ორი რელიგიას – მანიქეველობასა და ქრისტიანობას და მათი მიმდევრების წინააღმდეგ ედიქტებს გამოსცემს. დიოკლეტიანეს პოლიტიკას აგრძელებს გალერიუსიც. თუმცა კი გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე, 311 წლის 30 აპრილს აქვეყნებს ქრისტიანების მიმართ ტოლერანტულ ერიქტს.

IV საუკუნის განმავლობაში ისტორიულ ასპარეზზე გამოდის მთელი პლეადა პოლიტიკოსებისა, კულტურისა და რელიგიური მოღვაწეებისა, რომლებიც მომავალი ქრისტიანული ცივილიზაციის საყრდენად შეიძლება ჩაითვალონ. IV სუკუნეში რომმა იცის როგორც ქრისტიანობის ერთგული, ისე განდგომილი იმპერატორიები.

შეიძლება ითქვას, კონსტანტინე დიდიდან იწყება რომის იმპერიის „ქრისტიანული პერიოდი“. სწორედ კონსტანტინეს პოლიტიკის შედეგად ჩაეყარა საფუძველი აღმოსავლეთში ცეზაროპაპიზმს, რის ნათელ გამოვლინებასაც წარმოადგენს თეოდოსი I-ის მოღვაწეობა. მისი მმართველობა ემთხვევა რომის პოლიტიკური ცხოვრების დიდი გარდაქმნების პერიოდს. იმპერიოაში გავრცელებულია ადრეული ქრიატიანობის ყველაზე დიდი ერესი – არიანელობა. აღნიშნულ შემთხვევაშიც ქვეყნის რელიგიური ორიენტაციის განსაზღვრაში გადამწყვეტი როლი იმპერატორს ეკისრება. 380 წელს მძიმედ ავადმყოფი თეოდოსი ინათლება მართმადიდებლური წესით. გამოჯანმრთელების შემდეგ, 381 წელს კონსტანტინოპოლში მოიწვია II მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელიც არიანელობაზე გამარჯვების და მართლმადიდებლური რწმენის სიმბოლოების საბოლოოდ ჩამოყალიბების თარიღად არის მიჩნეული.

იმპერატორმა კრების გადაწყვეტილება დაამტკიცა და მთელი რიგი კანონები გამოსცა, რომელიც მიმართული იყო იმპერიაში ორთოდოქსალური ქრისტიანობის განმტკიცებისაკენ. თეოდოსი I-ის დროს ქრისტიანობა რომის იმპერიაში საბოლოოდ დამკვიდრდა როგორც გამარჯვებული, გაბატონებული რელიგია.

5. მარიკა მშვილდაძე
ქრისტიანობის გავრცელების საკითხისათვის ჩინეთში

აპოკრიფულ სახარებებსა და მალაბარის ეკლესიის საღვთისმეტყველებო წიგნებში... საუბარია იმის შესახებ, რომ ქრისტიანობა ჩინეთში შეიტანა თომა მოციქულმა, რასაც წლების მანძილზე სამეცნიერო წრეებში სკეპტიკურად უყურებდნენ, ვინაიდან ტანგის დინასტიის მმართველობამდე (618-907 წწ.) ჩინეთში ქრისტიანობის გავრცელების დამადასტურებელი სანდო არტეფაქტები არ არსებობდა. ბოლო წლებში აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში მკვლევართა თვალსაზრისი იცვლება. მეცნიერთა ნაწილი არ გამორიცხავს ქრისტეს მოძღვრების შეტანას ჩინეთის ტერიტორიაზე უკვე I ს-ში, რის საფუძვლადაც ჰანის დინასტიის (25-220 წწ.) პერიოდით დათარიღებულ ძიანსუს (რომანიზებული Jiāngsū) პროვინციაში არსებულ აღმოსავლეთ ჰანის დინასტიის წარმომადგენელთა ქვის სარკოფაგების პანოებს მიიჩნევენ. მეცნიერთა ნაწილი პეკინის სამხრეთ-აღმოსავლეთით Kong Wang Shan-ის კლდეზე არსებულ 25 მეტრიანი ბარელიეფური გამოსახულებების შესწავლის საფუძველზე ასევე არ გამორიცხავს ფრიზზე იუდეო-ქრეისტიანული სიმბოლოების არსებობის ფაქტს, რომლებიც ახ.წ. 70 წლამდე უნდა იყოს შესრულებული თომა მოციქულის ჩინეთში მიმოსვლის დროს აღმოსავლეთ ხანის დინასტიის მმართველის იმპერატორ მინ-ძის (57-75 წწ.) პერიოდში, სადაც მან ლიანუნგანსა (Liǒnyúngǎng) და ლოიანში (Luǒyǒng) 65-68 წწ-ში პირველი ეკლესიები დაარსა.

აღნიშნულ ჰიპოთეზასთან დაკავშირებით კვლევის საბოლოო დასრულებამდე კატეგორიულად რაიმეს მტკიცება შეცდომა იქნებოდა. შესაბამისად, ჩვენ ნაშრომში ისტორიულ წყაროებსა და არტქფაქტებზე დაყრდნობით გაანალიზებული გვაქვს, თუ

რამდენად იქნებოდა შესაძლებელი ახ.წ. I ს-ში თომა მოციქულის ჩინეთის ტერიტორიაზე მიმოსვლა. იქიდან გამომდინარე, რომ: 1. ჩინეთში ჰანის იმპერიის პერიოდში უკვე არსებობდა იუდეური თემები, ხოლო როგორც ცნობილია, ახალი აღთქმის პერიოდში ქრისტიანობა სწორედ ებრაულ თემებში ვრცელდებოდა; 2. ახ. წ. I ს-ში რომსა და ხანის იმპერიას შორის ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობები არსებობდა, რაზეც არაერთი არტეფაქტი მიუთითებს; 3. რომის იმპერიას ჩინეთთან აკავშირებდა ერთი მხრივ დიდი აბრეშუმის გზა, ხოლო მეორე მხრივ ინდოეთის გავლით საზღვაო მიმოსვლის გზა, რომელიც ინტენსიურად იყო ათვისებული, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სავსებით შესაძლებელია ჩინეთში უკვე ახ. წ. I ს-ში იცნობდნენ ქრისტეს მოძღვრებას.

6. მარიკა მშვილდაძე
ანტიკური კულტები საქართველოში (ათენა)

ათენა ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ღვთაებად გვევლინება ანტიკურ სამყაროში. გამონაკლისს არც იბერია და კოლხეთი წარმოადგენს. არტეფაქტების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ ათენას კულტი ანტიკურ ხანაში გავრცელებული ჩანს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. საქართველოს ტერიტორიაზე. ღვთაების გამოსახულებები გვხვდება ძირითადად გლიპტიკურ ძეგლებსა და მონეტებზე.

ნიშანდობლივია, რომ იბერიაში გვხვდება ანტიკური პერიოდის ცნობილი ოსტატის მიერ შექმნილი ათენას გამოსახულებიანი გემა, რომელიც ხელოვნების მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს. კერძოდ, 1966 წელს თიანეთის რ-ნის სოფ. მაგრანეთის გაანაპირას მდებარე ქუშანაანთგორის სამაროვანზე (II) გათხრილ ერთ-ერთ სამარხში (№10) აღმოჩენილი ოვალური ფორმის გრანატის გემით შემკული ოქროს ბეჭედი. გემა ავგუსტუსის ეპოქის (ძვ. წ. I-ახ. წ. I სს.) კლასიცისტური ხელოვნების ნიმუშია, რომელიც ალექსანდრიული სკოლის წარმომადგენელის, ცნობილი ქვისმჭრელი ჰილოსის (Hyllos) ნახელავი უნდა იყოს და ფიდიასის ათენა ლემნიას კოპირებას უნდა წარმოადგენდეს. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ათენას გამოსახულებიანი გლიპტიკური ძეგლების ქრონოლოგიური ჩარჩოები, ძვ. წ. II- ახ. წ. III სს-ით განისაზღვრა, რაც თავის მხრივ ემთხვევა ელინისტურ და გვიან ანტიკურ პერიოდებს. კვლევის შედეგად დგინდება, რომ აღნიშნულ პერიოდში ათენას კულტი განსაკუთრებით პოპულარობით სარგებლობდა იბერიის ტერიტორიაზე. მის დედაქალაქ მცხეთასა და ერთ-ერთ მნიშვნელოვან სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრ ურბნისში, რაც ჩვენი აზრით, ანტიკურ სამყაროსთან, კერძოდ კი რომის აღმოსავლეთ პროვინციებთან მჭიდრო კულტურულ-ეკონომიკური კავშირებით შეიძლება აიხსნას. ათენა პოპულარული იყო როგორც ქვეყნის უმაღლესი არისტოკრატიული წრის, ისე უბრალო მოსახლეობას შორის.

ათენას გამოსახვა არც ქართული ნუმიზმატიკისთვის იყო უცხო. მხედველობაში გვაქვს კლასიკური სტატერი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში აკის სტატერის სახელითაა ცნობილი. საქართველოს ტერიტორიაზე საკმაოდ დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი ათენას გამოსახულებიანი არაქართული წარმომავლობის მონეტები.

7. მურმან პაპაშვილი
XVII საუკუნის I ნახევრის იტალიურენოვანი წყაროები საქართველოს შესახებ

ვატიკანის არქივიდან დღემდე გამოუქვეყნებელი წყაროები ვრცელ ახალ ინფორმაციას გვაწვდიან საქართველოს, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის შესახებ. ეს მასალები დღემდე უცნობი კუთხით წარმოაჩენს კათოლიკე მისიონერთა საქმიანობას და ქართული ეკლესიის მდგომარეობას აღნიშნულ საუკუნეში. მასში ვხვდებით

ისეთ ისტორიულ პირებს, რომელთა შესახებ ქართულ წყაროებში ცნობები არ მოგვეპოვება.

8. მურმან პაპაშვილი
XVII საუკუნის იტალიურენოვანი წყაროები ქართველი ქალების შესახებ

XVII საუკუნის იტალიერენოვანი წყაროები ვრცელ ინფორმაციას გვაწვდიან ქართველი ქალების ჩაცმულობის, გართობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და საზოგადოებაში მათი სტატუსის შესახებ. ქალებს მაღალი ადგილი ეკავათ ქართულ ოჯახსა და საზოგადოებაში, რაც ევროპელ მისიონერთა მოწონებას იწვევდა. კათოლიკე პატრების დიდ შეფასებას იმსახურებდა ქართველი ქალების მიერ ოჯახის შექმნა არა ქონებისადმი დახარბების გამო, არამედ-მამაკაცის ღირსების, პატივისა და გარეგნობის მიხედვით, რაც მათ გამოარჩევდათ იტალიელი ქალებისაგან.

9. თეიმურაზ პაპასქირი
დასავლეთის თვალით დანახული XXI საუკუნის დასაწყისის რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკა (რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის მაგალითზე)

2014 წლის მარტში რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიამ მკვეთრად შეცვალა დასავლეთის წრეების დამოკიდებულება რუსეთის მიერ XXI საუკუნის დასაწყისიდან გატარებული საგარეო პოლიტიკისადმი. თუ მანამდე ეს არ აღიქმებოდა იმპერიალიზმის გამოვლინებად, უკრაინის მიმართ ვლადიმირ პუტინის მიერ გატარებულმა პოლიტიკამ ეს დამოკიდებულება შეცვალა. სწორედ ამიტომ ძალზე მცირე დარჩა იმ ისტორიკოსთა თუ პოლიტოლოგთა რიცხვი, ვინც გარკვეულწილად კვლავინდებურად ამართლებს რუსეთის ქმედებებს. პრაქტიკულად ყველა სერიოზული მკვლევარი ცალსახად ბრალს სდებს რუსეთს და მის ხელისუფლებას საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევასა და ნეოიმპერიალიზმში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა კოპენჰაგენის უნივერსიტეტის სამხედრო კვლევების ცენტრის მიერ მომზადებულ კრებულში („უკრაინის კრიზისი და პოსტცივიომისეული ევროპული წესრიგის დასასრული: ოპციები ნატოსა და ევროკავშირისთვის“) მოყვანილი გამონათქვამი: „უკრაინის კრიზისმა ხაზი გადაუსვა მოსკოვის პოლიტიკის... გაგებას, როგორც იზოლირებულ მოვლენებზე პასუხის გაცემის რეაქციას, რომელიც შეიძლებოდა განპირობებული ყოფილიყო კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე. ამის სანაცვლოდ, რუსეთის ინტერვენცია ყირიმში იქცა ბოლო სამხილად მოვლენების იმ მწკრივში, სადაც ჩეჩნეთში, საქართველოში, ესტონეთსა და სირიაში განხორციელებული ქმედებები წარმოადგენს კრემლის წინააღმდეგ ოფიციალური საბრალდებო დასკვნის ნაწილს“. აღნიშნული პოზიცია ემთხვევა ე.წ. “Policy Paper”-ების მთელ რიგს, რომლებიც წარმოადგენს ნატოს, ევროკავშირის, აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის თუ სხვა ორგანიზაციებისა და სახელმწიფოების ოფიციალურ სამოქმედო დოკუმენტებს.

10. მერაბ კალანდაძე
ფრანგი ისტორიკოსი პიერ შონიუ ამერიკის დამოუკიდებლობისათვის ომზე

მოხსენება ისტორიოგრაფიული ხასიათისაა და მიზნად ისახავს, გაარკვიოს პიერ შონიუს შეხედულებები ინგლისის ამერიკული კოლონიების დამოუკიდებლობისათვის ომზე.

11. მერაბ კალანდაძე
ვარლამ ჩერქეზიშვილი და დასავლეთ ევროპის ისტორიოგრაფია

მოხსენება ისტორიოგრაფიული ხასიათისაა და მასში, პირველად ისტორიულ მეცნიე-

რებაში, გაანალიზებულია ვარლამ ჩერქეზიშვილის შეხედულებები ახალი ისტორიის ისტორიოგრაფიის შესახებ.

12. მერაბ კალანდაძე
საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შეფასებისათვის

წინამდებარე ნაშრომი ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შეფასების ზუსტი მეცნიერული კრიტერიუმის მოძიებას. ეს არაა ადვილი საქმე. თემა არის საინტერესო და აქტუალური.
საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის სწორ გააზრებას, შეფასებას, დიდი მნიშვნელობა აქვს და აქტუალურად მიგვაჩნია. თემა არის მეტად სათუთი და ფრთხილ მიდგომას მოითხოვს. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა შევარჩიოთ სწორი კრიტერიუმი, რომელიც საშუალებას მოგვცემს მეტ-ნაკლებად ზუსტად განვსაზღვროთ მისი მნიშვნელობა.
საზღვარგარეთულ ისტორიოგრაფიაში ფეხი მოიკიდა მოსაზრებამ, რომლის თანახმად „საბჭოთა ისტორიოგრაფიაში კომუნისტური რეჟიმის დროს თითქოს არაფერი ღირებული არ შექმნილა და მხოლოდ სტანდარტული გამოკვლევები იწერებოდა“. ასეთი მიდგომა სწორხაზოვნად მიგვაჩნია და შესიტყვების სურვილს გვიჩენს. შორიდან შეიძლება ეს მართლაც ასე ჩანდეს, მაგრამ რეალობა გაცილებით საინტერესო და მრავალფეროვანია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით გგონიათ.
საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიღწევების აპოლოგეტური შეფასება, რომელიც დომინირებდა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში დღეს უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა და ისტორიოფრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ. საბჭოთა ისტორიოგრაფიის მუქი სათვალით დანახვა მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. ეს სულ სხვა უკიდურესობა იქნება. საჭიროა უფრო დაბალანსებული მიდგომა, წყალს ბავშვი არ უნდა გადავაყოლოთ. უნდა გამოვძებნოთ ოქროს შუალედი, რომელიც საშუალებას მოგვცემს გამოვკვეთოთ, როგორც შუქი, ისე ჩრდილი. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. ვფიქრობთ, ეს უფრო ადეკვატური იქნებოდა.
საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ისტორიის საკითხების დამუშავება მეცნიერულ ელფერს იძენს, მაგრამ ცალმხრივ ხასიათს ატარებდა და ერთი მარქსისტული იდეოლოგიის ჩარჩოებში აღმოჩნდა მოქცეული. ასეთი იყო მკაცრი რეალობა. ემპირიის, ფაქტოლოგიის დონეზე წინსვლა, პროგრესი, აშკარაა და ამის დაუნახაობა, გვერდის ავლა, უმართებულო იქნებოდა. თეორიულ დონეზე, წმინდა კონცეფტუალურად, საქმე გვაქვს საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მეთოდოლოგიურ გაუფერულებასთან. წარსულის ერთადერთი სწორი ახსნა მარქსისტული მიდგომა იყო. განსხვავებული აზრი მიუღებელი იყო, ითრგუნებოდა, იდევნებოდა, ცრუმეცნიერულად ცხადდებოდა. ისტორიას არ ხელეწიფება ერთი ჭეშმარიტება. ამ გზას ჩიხში მივყავართ საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის კრიზისის გასაღები, სწორედ, აქ ძევს. ის წმინდა კონცეფტუალური, მეთოდოლოგიური, ხასიათისაა.
მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ათვისება სულაც არ ატარებდა ისეთ ტრიუმფალურ ხასიათს, როგორც ამას დიდი ხნის განმავლობაში გვიხატავდნენ. რა თქმა უნდა, საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია სულაც არ იყო ისეთი ერთფეროვანი, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. ის პირობითად რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დავყოთ:

1. ისტორიკოსთა მცირე ჯგუფი არ ეპუებოდა გაბატონებული იდეოლოგიის მარწუხებს და მტკიცედ იდგა ისტორიული ჭეშმარიტების დაცვის სადარაჯოზე, რაც ბოლშევიკურ-ტოტალიტარული სახელმწიფოს პირობებში გმირობის ტოლფასად მიგვაჩნია. ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ ჯგუფის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი პროფ. უშანგი სიდამონიძე იყო.
2. ქართველ ისტორიკოსთა ეს ჯგუფი იღებდა კონკრეტულ მეცნიერულ საკითხს

ღრმად და ყოველმხრივ ამუშავებდა მას და მარქსისტულ აპკში ახვევდა. დღევანდელი გადასახედიდან მათი მკაცრად განსჯა ადვილი გზით სიარული იქნებოდა და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია. თუ ამ შრომებს ძალად თავსმოხვეულ მარქსისტულ გარესამოს ჩამოვაშორებთ, მასში ღირებული მაინც რჩება და, სწორედ ეს ფასეული უნდა გახდეს მეცნიერული განსჯის საგანი. პირველ ყოვლისა ესაა აქ გამოვლენილი უხვი ფაქტობრივი მასალა, მდიდარი მეცნიერული ინფორმაცია, მრავალფეროვანი წყაროები. ამ მასალას მნიშნელობა დღესაც არ დაუკარგავს და მისი გამოყენება გამორიცხულად არ მიგვაჩნია. ფაქტობრივად, ეს იყო არჩევანი უარესსა და ცუდს შორის. ფსონი ამ უკანასკნელზე გაკეთდა. იმ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში ეს ერთ-ერთი სწორი გამოსავალი ჩანდა, რომელსაც გააჩნია თავისი პლუსები და მინუსები.

3. რა თქმა უნდა, მათ უმრავლესობას წარმოადგენდნენ ისტორიკოსები, რომლებიც ყველანაირად ცდილობდნენ ხელისუფლების გული მოეგოთ და როგორმე ესიამოვნებინათ გაბატონებული იდეოლოგიისთვის. მათი შრომები, უმეტესწილად კონიუნქტურულ ხასიათს ატარებდა და ძალიან სწრაფად იხვეჭდნენ პოპულარობას, მაგრამ როგორც კი იცვლებოდა პოლიტიკური სიტუაცია, უმალ კარგავდა თავის ღირებულებას და აღარავის ახსოვდა. დღეს ეს შრომები, მხოლოდ იმ პერიოდის ისტორიული აზროვნების ნიმუშია.

13. ლეილა (ია) ხუბაშვილი
ვატიკანის საგარეო პოლიტიკა მეორე მსოფლიო ომში

1939 წლის 2 მარტს კონკლავმა ახალი, რიგით 260-ე პაპი აირჩია. ტახტზე ავიდა რომაელი არისტოკრატი ეუჯენიო პაჩელი პიუს XII-ის სახელით (1939-1958). მისი პონტიფიკატი მეტად მძიმე პერიოდს-მეორე მსოფლიო ომის დროს დაემთხვა. მისმა წინამორბედმა პაპებმა კონკორდატები დადეს იტალიის ფაშისტურ და ჰიტლერის ნაცისტურ ხელისუფლებებთან. მოსაგვარებელი იყო ჰოლოკოსტის საკითხი. რომი ნაცისტების მიერ იყო ოკუპირებული.

პიუს XII პაპი-პოლიტიკოსი იყო, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება ეკლესიის საგარეო პოლიტიკის სამსახურში გაატარა. გერმანიაში 12 წლის განმავლობაში პაპის ნუნციუსი იყო და მთელი თავისი 20 წლიანი პონტიფიკატის პერიოდში გერმანოფილად დარჩა. ვატიკანშიც გერმანელებით იყო გარემოცული. ამიტომაც ეძახდნენ მას „გერმანელთა პაპს“. პიუს მეთორმეტე ორგანულად ვერ იტანდა მარქსიზმს და კომუნიზმს, რომელთა დაძლევა მან ცივი ომის დროსაც ვერ შეძლო. ჯერ კიდევ ვატიკანის სახელმწიფო მდივნად 10 წლის ყოფნისას, ის უშუალოდ განსაზღვრავდა ვატიკანის საგარეო პოლიტიკას.მის იდეალს წარმოადგენდა კონსერვატული მონარქია. 1944 წლიდან ის ავტოკრატულად ხელმძღვანელობდა კურიას. პაპის მონარქიულ სიმპათიებზე მეტყველებს ის, რომ 1941 წლის 7 ივნისს ხელი მოაწერა ფრანკოსთან და მოგვიანებითაც მას აზრი არ შეუცვლია. მეორე მსოფლიო ომში პიუს მეთორმეტის პოლიტიკა გარემოებებიდან გამომდინარე, შეიცვალა და ისეთივე წინააღმდეგობრივი გახდა, როგორც ჩერჩილის ან რუზველტის. ეკლესია ამ მსოფლიო კატასტროფაში ორივე მხარისთვის ღვთის სასჯელს ხედავდა. 1941 წ.1 სექტემბერს, როცა ომი დაიწყო, საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობებმა პაპს თხოვნით მიმართეს, რათა გერმანია აგრესორად გამოეცხადებინა, მაგრამ მან უარი თქვა და განაცხადა, რომ ვატიკანს არ შეუძლია უშუალოდ ჩაერიოს საერთაშორისო პოლიტიკაში; კათოლიკური პოლონეთი თავისი ანტიგერმანული განწყობით, როგორც ჩანს, არ იყო პაპის კონცეფციაში. პაპმა ომის დაწყებისთანავე ნეიტრალიტეტი გამოაცხადა და ვატიკანის დიპლომატიას ომის დამთავრებამდე არცერთი განცხადება არ გაუკეთებია რომელიმე მხარის დასაცავად. პაპის მიზანი იყო დექრისტიანიზაციის შეჩერება ლიბერალური ღირებულებების ეპოქაში და რომაულ-კათოლიკური ეკლესიის ინტერესების დაცვა.

ომის დაწყებამდე კი ევროპის ხსნას ის კათოლიციზმში ხედავდა. პაპი ცდილობდა არ დაეშვა იტალიის ჩაბმა ომში, მაგრამ როცა ეს ვერ შეძლო, მკაცრი ნეიტრალიტეტი არჩია, თუმცა დიპლომატიურ თამაშს მაინც განაგრძობდა. ჩერჩილს მუდმივად ჰქონდა ვატიკანთან ურთიერთობები, რუზველტმა კი პაპთან თავისი მუდმივი წარმომადგენელი მაირონ ტეილორი გაგზავნა, რომელიც იქ ომის დამთავრებამდე დარჩა და პიუს მეთორმეტესთან ერთად დიდი როლი შეასრულა აშშ-მიერ ცივი ომის დაგეგმვაში.

14. ლეილა (ია) ხუბაშვილი
ვატიკანისა და ჩინეთის თანამედროვე ურთიერთობების ვექტორები

ვატიკან-ჩინეთის ურთიერთობების განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულა რწმენის პროპაგანდის კონგრეგაციამ, რომელიც დაარსდა 1622 წელს გრიგოლ XV-ის მიერ (1621-1623) განსაზღვრული მიზნით-მთელ მსოფლიოში კათოლიკობის გასავრცელებლად. აქტიური საქმიანობის შედეგად მეოცე საუკუნის 20-იან წლებში ვატიკანი მისიონერებად მარტო ევროპელებს კი არ გზავნიდა, არამედ უცხოელებსაც. რომელთაგანაც მან უმაღლეს სამღვდელოება ჩამოაყალიბა. მეოცე საუკუნის დასაწყისში რომში დაარსდა კათოლიკური კოლეჯი ჩინელებისთვისაც, 1927 წელს კი საზეიმოდ აკურთხეს პირველი ჩინელი ეპისკოპოსი, შემდეგ იაპონელები და ა.შ. 1930 წლისთვის ჩინეთში მისიონერული საქმიანობის აქტიურობის შედეგად კათოლიციზმი მიიღო მოსახლეობის 1/6 ნაწილმა.
ჩინეთში კათოლიკობის გავრცელება ძირითადად დაკავშირებულია მიქელე რუჯეროს (1581), პაცოს (1583) და განსაკუთრებით მატეო რიკის სახელთან, რომელმაც 1583 წლიდან მოყოლებული, იეზუიტების ორდენს მნიშვნელოვანი მდგომარეობა მოუპოვა იმპერიის მთავარ ქალაქებში. პადრე იოჰან ადამ შელმა კი ჩინურ ენაზე დაწერილი თავისი ნაშრომებით მათემატიკასა და ასტრონომიაში ისეთი აღიარება მოიპოვა, რომ 1644 წელს დაინიშნა პეკინის მათემატიკური ტრიბუნალის თავმჯდომარედ.
ვატიკან-ჩინეთის ურთიერთობები გაუარესდა მას შემდეგ, რაც პაპის ტახტზე ავიდა იოანე-პავლე მეორე, რომელსაც ჩინეთი აფასებდა როგორც კომუნიზმის მტერს და აღმოსავლეთ ევროპაში ათეისტური სისტემის დანგრევის ხელშემწყობს.
ბენედიქტე XVI-ის არჩევამ ახალი მოლოდინები გააჩინა. ახალ პაპს უნდა გადაეხედა იმ რთული და მრავალფეროვანი პრობლემებისთვის, რომლებიც უკანასკნელი 50-ზე მეტი წლის განმავლობაში დაგროვდა. მაგრამ მიუხედავად პაპის ძალისხმევისა, მის აქტიურ მოწოდებებს ჩინეთის დაქსაქსული კათოლიკური ეკლესიის გასაერთიანებლად, მნიშვნელოვანი შედეგები არ მოჰყოლია. ურთიერთობების დათბობა შესამჩნევი გახდა პირველი იეზუიტი პაპის ფრანცისკ პირველის ტახტზე ასვლის შემდეგ, რომელმაც, როგორც ჩანს, პოლიტიკური მოსაზრებების გამო, თავი შეიკავა დალაი ლამასთან შეხვედრაზეც კი. საინფორმაციო სივრცეში დაანონსდა ვატიკან-პეკინი-მოსკოვის ალიანსის შექმნის შესახებაც, რაც პაპმა ოფიციალურად დაადასტურა.

15. ლეილა (ია) ხუბაშვილი
პიუს IX-ის სილაბუსი და ლიბერალურ-კონსტიტუციური რეფორმები

ვატიკანს პიუს მეცხრის სახელით (1846-1878) 32 წლის მანძილზე მართავდა გრაფი, კარდინალი ჯოვანი მასტაი-ფერეტი. მისი პონტიფიკატი რომის ეკლესიის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი და წინააღმდეგობებით სავსე იყო. ამ პერიოდში საეკლესიო სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა და შესაბამისად, პაპების საერო ძალაუფლებაც დამთავრდა, მაგრამ მან შეძლო ავტორიტეტი შეენარჩუნებინა უცოდველობის დოგმატის საფუძველზე ეკლესიის შიგნით. პიუს მეცხრე თავის წინამორბედებზე უფრო მეტად შეუპოვრად აღუდგა წინ ეპოქის იდეებსა და მოთხოვნებს და ამავე დროს, როგორი პარადოქსიც არ უნდა იყოს, სწორედ ის გახდა ახალი დროის პაპობის შემქ-

მნელი. ახალგაზრდობაში პაპი გაეცნო ჯობერტისა და როსმინის ლიბერალურ კათოლიკურ შეხედულებებს, რომლებისთვისაც 1848-1849 წლების რევოლუცია და ბრძოლა თავისუფლებისათვის ერთგვარი საჯილდაო ქვა აღმოჩნდა. ნაციონალური ერთობისა და იტალიის დამოუკიდებლობის საკითხებზე პასუხის გაცემა მომავალ პაპს მოუწია არა მარტო როგორც ეკლესიის მეთაურს, არამედ როგორც იტალიელსაც. კონკლავზე, რომელიც მხოლოდ ორ დღეს გაგრძელდა, კონსერვატიული პარტიის კანდიდატი იყო სახელმწიფო მდივანი ლამბრუჩინი, რომელიც ფაქტობრივად მართავდა ვატიკანს. მისი მოწინააღმდეგე კი იყო ასევე გავლენიანი კარდინალი გიცი. კონკლავმა კომპრომისული ვარიანტი ამჯობინა როგორც ყოველთვის და არჩევანი გააკეთა შეუმჩნეველ, მაგრამ ლიბერალური შეხედულებების მასტაი-ფერეტიზე, რომელიც ფაქტობრივად კარდინალ-ნეოგველფების დამსახურება იყო. 54 წლის პაპს არანაირი საარჩევნო პროგრამა არ გააჩნდა, მაგრამ როგორც ლიბერალური რეპუტაციის მქონე, თავისთავად პროგრამას წარმოადგენდა. ტახტზე ასვლისთანავე პაპმა დაპირებისამებრ, დაიწყო ზომიერი კონსტიტუციურ-ლიბერალური რეფორმები, რითაც კათოლიკური ეკლესია დაუახლოვდა იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. უფრო მეტიც, მაძინიმ პაპს მოუწოდა სათავეში ჩადგომოდა ამ მოძრაობას. პიუს მეცხრე ამ დროისათვის ყველაზე პოპულარული ადამიანი გახდა. თუმცა პაპობის უნივერსალიზმის იდეამ გადაწონა და 1848 წლის 29 აპრილს პაპმა განაცხადა, რომ პაპის ტახტი ერთნაირი სიყვარულთ უნდა ეკიდებოდეს მთელ კათოლიკურ სამყაროს, ამიტომაც პაპი, როგორც უმაღლესი სასულიერო ლიდერი, ვერასოდეს გახდება კონფედერაციული სახელმწიფოს მეთაური. პაპის ასეთ წინააღმდეგობრივ ნაბიჯებში, როგორც ჩანს, გარკვეული როლი ითამაშა მეტერნიხის მუქარამ, რომ ჰაბსბურგთა იმპერია კავშირს გაწყვეტდა ვატიკანთან. 1861 წლის 17 მარტს, როდესაც გამოცხადდა იტალიის სამეფოს შექმნა ვიტორიო ემანუელ მეორის მეთაურობით, პაპმა ის ანათემას გადასცა. 1864 წლის სექტემბერში ნაპოლეონ მესამემ და ვიტორიო ემანუელმა ახალი შეთანხმება დადეს, რომლის თანახმადაც, ფრანგებს ორი წლის განმავლობაში უნდა დაეტოვებინათ რომი. ამან პაპის აღშფოთება გამოიწვია. 1864 წლის 8 დეკემბერს პიუს მეცხრემ გამოსცა თავისი ცნობილი ენციკლიკა „Quanta cura“რომელშიც მან სასტიკად დაგმო რაციონალიზმი, გალიკანიზმი, ლიბერალიზმი, კომუნიზმი და ნატურალიზმი. მათი მიმდევრები კი ერეტიკოსებად გამოაცხადა. მათ წინააღმდეგ საბრძოლველად ჩამოთვლილი იყო 80 წინადადება, რომელიც ამ ენციკლიკაში იყო შესული „სილაბუსის“ (შყლლაბუს) სახელით. პაპის სილაბუსმა არამარტო ხალხში გამოიწვია უკმაყოფილება არამედ, ეკლესიის შიგნითაც. საბოლოოდ, ნახევარსაუკუნოვანი ბრძოლა საერო და სასულიერო ხელისუფლებას შორის დამთავრდა 1869-1870 წლებში: ვატიკანის პირველ კრებაზე მიღებულ იქნა პაპების უცოდვილობის დოგმატი, იტალიის სახელმწიფომ კი შემოიერთა რომი და პეტრეს პატრიმონიუმი, რითაც პაპების საერო ძალაუფლების ლიკვიდაცია მოახდინა.

16. ფატი შეყლაშვილი
ნაციონალ-სოციალისტური ქალთა ორგანიზაციები მესამე რაიხში

გერმანული ნაციზმის მკვლევარები დიდი ხანია დაინტერესდნენ გერმანელი ქალების როლით ნაცისტურ სახელმწიფოში. იმ მიზეზებით, როგორ მოახერხეს ნაციონალ-სოციალისტებმა, რომ მათ მხარეს ებრძოლა მილიონობით გერმანელ ქალს, არა მარტო დაქვემდებარებოდნენ მათ სურვილებს, არამედ მათი დანაშაულების უშუალო მონაწილენიც გამხდარიყვნენ. მითუმეტეს, რომ ნაცისტური იდეოლოგია უკომპრომისო მოწინააღმდეგე იყო ქალების პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვის და ფართო პროფესიული განათლების მიცემის. მათ გამოდევნეს ქალი სახალხო სფეროდან და შემოუსაზღვრეს ე.წ. ქალური „სასიცოცხლო სივრცე“, სადაც შესთავაზეს მრავალშვილიანი დედის და დიასახლისის როლი.

ქალთა მოძრაობის ორგანიზაციები სტარტს ჯერ კიდევ ვაიმარის პერიოდის გერმანი-

აში იღებენ. ყველაზე მასობრივი და გავლენიანი ორგანიზაციები იყვნენ: „გერმანელი ქალიშვილების კავშირი“ („BDM“), „ქალთა ნაციონალ-სოციალისტური ორგანიზაცია („NSF“), „ახალგაზრდა ქალთა საიმპერიო შრომის სამსახური“ („RAD“), „გერმანელ ქალთა კავშირი“ („DFB“), „ქალთა გერმანული ორდენი“ („DFO“). „ნაცისტ გოგონათა და ქალთა ორგანიზაციების ხელმძღვანელთა კორპუსი“ (ე.წ. მესამე რაიხის ამორძალები), „ნაც. სოციალისტ გერმანელ ქალთა კავშირი“ („NSDFB“), „გერმანელ ქალთა დასაქმების სამსახური“ („FAD“). ვაჟებისა და გოგონების სოციალური როლის განცალკევებაზე, გერმანული ფაშიზმისთვის დამახასიათებელი აქცენტი გამოიხატა გოგონებისა და ქალებისათვის ცალკე ორგანიზაციების დაარსებაში.

ქალთა ორგანიზაციებს არ ჰქონდათ პოლიტიკური გავლენა, მაგრამ აღიარებდნენ ჰიტლერის რასისტულ და ექსპანსიონისტურ შეხედულებებს, მათი საქმიანობა ემსახურებოდა, როგორც გერმანიის, ისე ევროპის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები გერმანელი ქალების სრულ, იდეოლოგიურ უნიფიკაციას ნაცისტურ სისტემაში. ეს ორგანიზაციები უპირისპირდებოდნენ ფემინისტურ მოძრაობას და ცდილობდნენ აღედგინათ გენდერული ასიმეტრია, არ დაეშვათ ქალი მამაკაცთა საქმიანობის სფეროში, ამასთან, დაენერგათ ნაცისტური მსოფლმხედველობა.

გარე სამყაროსგან შრომითი ბანაკების წინასწარ დაგეგმილი იზოლაცია, სუბორდინაცია და უნიფორმა ახალგაზრდა ქალებს უსპობდა საკუთარი ინდივიდუალობის გამოვლენის შესაძლებლობას. ქალთა ორგანიზაციები არა მარტო ასრულებდნენ ეკონომიკური პოლიტიკის ინსტუმენტის როლს, არამედ, მესამე რაიხის იდეების რეალიზაციასაც ახდენდნენ. შრომითი ბანაკები იყო უმუშევრობასთან ბრძოლის საშუალებაც.

ნაცისტურ ორგანიზაციებში ახალგაზრდა ქალების გაწევრიანების, საქმიანობის და იდეოლოგიური დამუშავების წარმატებების არსი ისაა, რომ გერმანელ გოგონებს იზიდავდა იმის შეგნება, რომ საშუალება ეძლეოდათ გადაელახათ სახელმწიფოს და საზოგადოების მიერ დადგენილი გენდერული საზღვრები, ენახათ ახალი ადგილები, გაეცნოთ ახალი ხალხი და თანდათან თავი დაემკვიდრებინათ. დაბალი სოციალური ფენის ქალებში წარმატებები აიხსნებოდა პროპაგანდისტული რევალვაციით (შექება, დაფასება, საღამოების მოწყობა, სხვადასხვა სახის კურსების გახსნა), მაღალი ფენის ქალებს კი უნარჩუნებდნენ პრივილეგირებულ მდგომარეობას, ძირითადად მათ ევალებოდათ საწევრო გადასახადის შეტანა. („BDM“-ში გაწევრიანებული იყო 3 მლნ-ი, „NSF“ და „DFB“- ში 6 მლნ-ი გოგონა და ქალი).

ნაციონალ-სოციალიზმის იდეოლოგიის ღიად გამოხატული ანტიფემინისტური მიმართულება განაპირობებდა სწორედ ჰიტლერული მოძრაობის აქტივისტების მისწრაფებას, შეეტანათ კორექტივები გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის („NSDAP“) დოქტრინაში და მოეხდინათ „ორთოდოქსული“ ნაციზმის მოდიფიცირება, რასაც გარკვეულწილად მიაღწიეს კიდეც.

ფიურერის რჩეულებში რასობრივი კუთვნილებისა და სქესის გარდა არსებობდა მესამე კრიტერიუმიც „პიროვნული ღირებულებები“, რომლის გათვალისწინებით, არსებობდა იმის პოტენციალი, რომ დიფერენციაცია მომხდარიყო სქესის გვერდის ავლით. ასეთი ორმაგი სტანდარტის შემთხვევაში მოქმედებაში მოდიოდა მოდერნიზაციის თეორია, რომლითაც უნდა აიხსნას მაგ: გოგონებისა და ქალთა ორგანიზაციების ისტორიული ადგილი ნაცისტურ გერმანიაში. ის ფაქტი, რომ ახალგაზრდა ქალებისაგან სურდათ აღეზარდათ მომავალი დიასახლისები და მრავალშვილიანი დედები, განეწესებინათ ისინი შრომით ბანაკებში, საბოლოოდ, შეუსაბამობაში აღმოჩნდა სამხედრო ეკონომიკის მოთხოვნებთან.

მეორე მსოფლიო ომის დროს „გერმანელ ქალთა დასაქმების სამსახური“ („FAD“), საერთოდაც იქცა საკადრო რეზერვუარად, რომელმაც შეცვალა მამაკაცი სამხედრო მრეწველობაში, შემდეგ კი შეიარაღებულ ძალებშიც. მესამე რაიხი მისი მესვეურების ანტიფემინისტური განწყობის მიუხედავად, არ იყო ცალსახად „მამაკაცების სახელმწიფო“ და მაინც ვერ ასცდა მოდერნიზაციის პროცესებს, რამეთუ, ასი

ათასობით ქალს გაუხსნეს გზა პოლიტიკაში, ეკონომიკაში, საშუალება მისცეს გაეკეთებინათ კარიერა. ასეთი მოქმედებები არა მარტო ესადაგებოდა ეკონომიკის, საზოგადოებისა და მორალის განვითარების თანამედროვე მოდერნისტულ ტენდენციებს, არამედ, თანხვედრაში იყო ფემინისტური მოძრაობის მოთხოვნებთან. შესაბამისად, გამოიწვია გერმანული საზოგადოების „გვერდითი, მოდერნიზებული ეფექტი“.
ნაციონალ-სოციალისტურ ქალთა ორგანიზაციების იდეოლოგიურად ყველაზე გულმოდგინედ დამუშავებულ აქტივისტებს შორისაც კი, რომლებიც წარმოადგენდნენ უზადო და მამაკაცის ერთგული ქვეშევრდომის ნიმუშს, იმალებოდა „ამორძალი“, რომელიც სრულიად არ შეესატყვისებოდა გენდერულ სტერეოტიპს. ჰქონდა პასუხისმგებლობა, დისციპლინა, ხელმძღვანელის უნარი, განათლება, იყო პროფესიულად კომპეტენტური და მაღალი ინტელექტის მქონე.

17. ფატი შეყლაშვილი
ნაცისტური სიმბოლოების საკითხისათვის

სიმბოლოები ყველა სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილია, ხოლო ტოტალიტარულ რეჟიმებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ. სახელმწიფო სიმბოლოებს არც მანამდე და არც შემდეგ არ უთამაშია ისეთი სერიოზული როლი პოლიტიკურ ცხოვრებაში, როგორც ნაცისტური მესამე რაიხის პერიოდში. ნაციონალური რევოლუცია, არა მხოლოდ უნდა განხორციელებულიყო, არამედ თვალსაჩინოც უნდა გამხდარიყო. მესამე რაიხის სიმბოლოებს და ატრიბუტებს იდეოლოგიური დატვირთვა ჰქონდათ და თავისი ეფექტურობით იყვნენ პროპაგანდისტული ხასიათის მატარებლები. ნაციონალ-სოციალისტების მიერ ყურადღებით გადამუშავებულ და მკაცრად განსაზღვრულ სიმბოლოებში, ჩადებული იყო რასისტულ-ნაციონალისტური კომპონენტები და ორიენტირებული იყო არა იმდენად ინტელექტზე, რამდენადაც ემოციებზე.
ნაცისტური იდეოლოგიის მთავარი მატარებლები გახდნენ სხვადასხვა შინაარსით დატვირთული სიმბოლოებიანი დროშები, შტანდარტები, ემბლემები, ჯილდოები, საპატიო ნიშნები, სპეციალური ქსოვილის სამხრეები და სხვ. ამას გარდა არსებობდა სპეც. შექმნილი ნიშნები მათთვისაც, ვინც ნაცისტების შეხედულებით, არ შეეფერებოდა მესამე რაიხს (მაგ: ებრაელებისთვის).
ნაცისტური სიმბოლოები აღებული იქნა წარსულიდან, ნაწილი- მემკვიდრეობით, ნაწილი კი ნასესხები იყო სხვადასხვა მითოლოგიიდან, რომლებსაც ნაციონალ-სოციალისტებმა ახალი შინაარსი შესძინეს.
ერთ-ერთი უმთავრესი სიმბოლო გახდა უძველი ისტორიის მქონე სვატიკა (Hakenkreuz), რომლის წარმოშობის შესახებ არსებობს უამრავი ლეგენდა, გამომდინარე მისი მრავალმხრივი შინაარსიდან, თავად ჰიტლერი მასში ხედავდა არიელების უპირატესობის მტკიცებას სხვა ერებზე და შემოქმედებითი მოძრაობის სიმბოლოს. ხოლო, თუ ვის ეკუთვნის, დანამდვილებით, სვასტიკის ნაცისტების სიმბოლოდ ქცევის იდეა, დღემდე არსებობს სხვადასხვა მოსაზრება. ფაქტი ერთია, ნაცისტური წითელ-შავ-თეთრი დროშა, სვასტიკიანი არწივით, გახდა მესამე რაიხის სახელმწიფო დროშა და ნაცისტების 12-წლიანმა მმართველობამ ჩრდილში მოაქცია ამ სიმბოლოს მრავალსაუკუნოვანი წარსული.
მესამე რაიხის სიმბოლოების საკმაოდ დიდ რიგში, რასობრივი თეორიის ყველაზე ორგანული მტკიცებულებები არის ნაცისტური რუნები, რომელთაც ასევე ტრადიციული ღირებულებები ჰქონდათ და შესაბამისად მოხვდნენ ნაცისტური ატრიბუტიკის სისტემაში. ყველაზე გავრცელებული რუნები იყო: ორმაგი ე.წ. SS-ის რუნები („ელვები“), ერთმაგი რუნა – „გამარჯვება“, „სიცოცხლის“ რუნა, „სიკვდილის“ რუნა, რუნა „ოდალი“, „თავის ქალა“ („Totenkopf“) და სხვ. უმთავრესი სიმბოლო კი იყო თავად ბელადი, ფიურერი, რომლის კულტიც გადაეწვდა გერმანიის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს და შესაბამისად აისახა პორტრეტებში, ფოტოებში, ფილმებში და სხვ.

ნაცისტური სიმბოლოების რაოდენობა, რომელთა ფერებში, სახელწოდებებში, გრაფიკულ გამოსახულებებში და ტრადიციულ წარმომავლობაში დაფარული იყო ნაცისტების მისწრაფებები მრავალრიცხოვანია. ისინი გარკვეული მიზეზებით აღმოჩნდნენ ნაცისტური ატრიბუტიკის სისტემაში და იქცნენ პროპაგანდის და იდეოლოგიური დამუშავების იარაღად.

მესამე რაიხის პერიოდის გერმანიის მცხოვრებნი აღმოჩნდნენ სიმბოლოებში შენახული იდეოლოგიის გავლენაში. სიმბოლოები, პრაქტიკულად, თავისი ეფექტურობით ჯანმრთელ გერმანულ გონებას უბიძგებდა ირაციონალურისკენ და აიძულებდა ლეგიტიმურად ეცნო მისტიკური აურით შემოსილი არწივი, ისევე როგორც სხვა ნაცისტური სიმბოლოები.

18. თამარ ანთაძე
1812-1814 წლების ამერიკა-ინგლისის ომის მიზეზები საბჭოთა ისტორიოგრაფიაში

ნაშრომი ისტორიოგრაფიული ხასიათისაა და მასში კრიტიკულადაა გაანალიზებული საბჭოთა ისტორიოგრაფიის შეხედულებები 1812-1814 წლების აშშ-ინგლისის ომის მიზეზებზე.

19. თამარ ანთაძე
ვარლამ ჩერქეზიშვილი ინგლისის რევოლუციის ბელადებზე

ნაშრომი ისტორიოგრაფიული ხასიათისაა და მასში, პირველად ისტორიულ მეცნიერებაში, განხილულია ვარლამ ჩერქეზიშვილის შეხედულებები ინგლისის რევოლუციის დროის მოღვაწეებზე, მათ შორის, ოლივერ კრომველსა და ჩარლზ I-ზე.

20. თამარ ანთაძე
ვარლამ ჩერქეზიშვილი გარიბალდისა და მაძინიზე

ჩვენ ვაგრძელებთ ევროპის ახალი დროის გამოჩენილი ადამიანების შესახებ ვარლამ ჩერქეზიშვილის გამონათქვამების შესწავლას. ამჯერად, შევეხებით მის მოსაზრებებს იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებზე ჯუზეპე გარიბალდისა და ჯუზეპე მაძინიზე. ვარლამ ჩერქეზიშვილი თავის პუბლიცისტურ წერილებში ეხება ჯ. გარიბალდის და ჯ. მაძინის მოღვაწეობას. ეს არ არის მათი ბიოგრაფიის უბრალო თხრობა, გადმოცემა. ეს მსჯელობა საინტერესოა და ჯუზეპე გარიბალდის და ჯუზეპე მაძინის მოღვაწეობის შეფასების მცდელობად გვევლინება. ამას მნიშვნელობა აქვს და საშუალებას გვაძლევს ვცადოთ გამოვარკვიოთ თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო მისი დამოკიდებულება მათი მოღვაწეობისადმი. ამ მსჯელობას ისტორიოგრაფიული დატვირთვა აქვს.

იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ყოველთვის სარგებლობდა ქართული საზოგადოების სიმპათიებით. მის მთავარ ტონისმიმცემად დიდი ილია ჭავჭავაძე და ალექსანდრე ორბელიანი გვევლინებიან. მათ შორის ვინც სიმპატიებით ეკიდებოდა იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, როგორც მისი პუბლიცისტური წერილებიდან ჩანს, ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე და პუბლიცისტი, ჟურნალისტი, ვარლამ ჩერქეზიშვილი უნდა მოვიაზროთ. ეს ადვილი გასაგებია. ეროვნულ-გამანთავისუფლებელ მოძრაობა ყოველთვის სარგებლობდა მოწინავე ქართველი ინტელიგენციის, რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელიც გახლდათ ვარლამ ჩერქეზიშვილი, თანადგომით იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ძალიან კარგად თავსდება ამ კონტექსტში. ეს ამ კუთხით აღნიშნული საკითხის შესწავლის პირველი მცდელობაა.

პირველ ყოვლისა, ცხადია, საინტერესოა აქცენტების დასმა. ამგვარი მიდგომით, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ იყო და მისი მიზეზები ვარლამ ჩერქეზიშვილის მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ. როგორც ეტყობა, ის გულგრილად ეკიდება იტალიის

გაერთიანების საქმეში პიემონტის სამეფოს და მისი მინისტრის კამილო ბენსო კავურის როლს. თავის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში ის მათ სახელებს არსად არ იხსენიებს, სამაგიეროდ, ის დიდ ყურადღებას უთმობს იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჯუზეპე გარიბალდის და ჯუზეპე მაძინის როლს და იტალიის გათავისუფლების მთავარ ინიციატორად, სწორედ, გარიბალდი და მაძინი ესახებოდა. ალბათ, შეიძლება ითქვას, რომ ის იტალიის განთავისუფლების რევოლუციურ-დემოკრატიული ფრთის აპოლოგეტად გვევლინება. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობის რევოლუციურ-დემოკრატიული პოზიციებიდან შეფასების მცდელობასთან. ამით მან ფაქტობრივად, სათავე დაუდო ქართულ სინამდვილეში აღნიშნული პრობლემისადმი სრულიად განსხვავებულ მიდგომას, რევოლუციურ-დემოკრატიულ მიმართულებას. ამ საკითხზე მისი შეხედულებების მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

ფრიად ნიშანდობლივია, რომ მის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში ჯ. გარიბალდის სახელი 28-ჯერ მოიხსენიება, ხოლო ჯ. მაძინის 20-ჯერ და თითქმის ყოველთვის მხოლოდ დადებით კონტექსტში. შეიძლება ითქვს, რომ მის ნაწერებში ასეთი პატივი ბევრს როდი ხვდა წილად. ვარლამ ჩერქეზიშვილი ჯ. გარიბალდის და ჯ. მაძინის როგორც იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობის ბელადებს, რევოლუციური ფრთის წარმომადგენლებს, განსაკუთრებულ პატივს მიაგებს.

21. ზაალ გოგენია
ნეიტრალიტეტის პრობლემა მეორე მსოფლიო ომში ესპანეთისა და პორტუგალიის მაგალითზე (კომპარატივისტული ანალიზი)

მეორე მსოფლიო ომში, იმ დროს არსებული 73 ქვეყნიდან მონაწილეობდა 62, დანარჩენი 11 იცავდა ნეიტრალიტეტს, მათ შორის ესპანეთი და პორტუგალია. პირინეის ნახევარკუნძულზე მდებარე ამ ორი სახელმწიფოს ნეიტრალიტეტი ტრადიციული იყო, რასაც განაპირობებდა უამრავი საშინაო და საგარეო ფაქტორი.

ფრანკოს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სალაზარის პორტუგალიასთან მჭიდრო კავშირები დამყარდა. მათი საგარეო პოლიტიკა თითქმის იდენტური იყო.

ოფიციალურად ესპანეთი მეორე მსოფლიო ომში არ მონაწილეობდა და იცავდა ნეიტრალიტეტს, თუმცა ამა თუ იმ ფორმით აღმოჩნდა მასში ჩართული.

ფრანკომ, რომელიც ხელისუფლების სათავეში გერმანიის დახმარებით მოვიდა რატომ არ დაუჭირა მხარი ჰიტლერს? მკვლევართა აზრით სამოქალაქო ომით წელში გადატეხილ ესპანეთს არ ძალუძდა არანაირი დახმარება. პრინციპში სწორი ახსნაა, მაგრამ არასაკმარისი. ეკონომიკური დახმარება ჰიტლერს არ უთხოვია, ომისთვის მას მხოლოდ ესპანური არმია დასჭირდებოდა, რომელიც იყო მრავალრიცხოვანი და კარგად დისციპლინერული, რაც მთავარია ომში გამოცდილი, კარგად შეიარაღებული როგორც საკუთარი ისე გერმანული, იტალიური და საბჭოთა იარაღით. ასე, რომ ჰიტლერის მხარეს ომში ესპანეთის არმონაწილეობის მიზეზი ფრანკოს მხრიდან პოლიტიკური ნების არარსებობა უფრო იყო. ჰიტლერს ცდა არ დაუკლია ფრანკო ჩაერთო ომში, ამას მოწმობს შეხვედრა ჰენდაიში 1940 წლის 23 სექტემბერს.

თავიდან ფრანკოს ეშინოდა გერმანიის და გარკვეულ დათმობებზე წავიდა: გერმანული სუბმარინები შემოუშვა ესპანურ პორტებში, გერმანიას აძლევდა ვოლფრამს და სხვა ნედლეულს, 1941 წელს კი გაგზავნა აღმოსავლეთის ფრონტზე ცისფერი დივიზია.

ომის წლებში ფრანკოს არ გაუწყვეტია ურთიერთობები აშშ და დიდ ბრიტანეთთან. სპეციალურად მათთვის მოიგონა საკუთარი კონცეფცია მიმდინარე მოვლენებზე.

პორტუგალიის შემთხვევაში უნდა ითქვას რომ სალაზარი უფრო ნეიტრალური აღმოჩნდა ვიდრე ფრანკო. ამაში დიდ როლს თამაშობდა დიდ ბრიტანეთთან ეკონომიკური კავშირების გაწყვეტის შიში, მოკავშირესთან რომელსაც ვერასდროს შეუცვლიდა გერმანია.

22. ზაალ გოგენია
სამოქალაქო ომის დაწყება ესპანეთში და საფრანგეთის მთავრობის პოზიცია (1936 წლის 18-25 ივლისი)

საფრანგეთი დიდ როლს თამაშობდა ესპანეთის სამოქალაქო ომის ინტერნაციონალიზაციის საქმეში. 1936 წლის ივლისში საფრანგეთის „სახალხო ფრონტის“ მთავრობა არჩევანის წინაშე იდგა: ან გაეგზავნა იარაღი ესპანეთის რესპუბლიკისთვის, ან მოეთხოვა ჩაურევლობის მკაცრად დაცვა. ლეონ ბლუმის გადაწყვეტილება არ ჩარეულიყო ესპანეთის კონფლიქტში კარგად არის შესწავლილი, გამოთქმულია უამრავი ვარაუდი, მაგრამ მოვლენები, რომელიც წინ უძღოდა ამ გადაწყვეტილების მიღებას, ჯერაც წარმოადგენს აზრთა სხვადასხვაობის საგანს.
სამხედრო ამბოხების დაწყებისთანავე ესპანეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ხოსე ხირალმა გაუგზავნა სასწრაფო დეპეშა თავის ფრანგ კოლეგას ლეონ ბლუმს, სადაც ითხოვდა დახმარებას. 22 ივლისს ბლუმმა გადაწყვიტა დაეკმაყოფილებინა თხოვნა, მაგრამ უკვე 25 ივლისს მან თავის დაპირებაზე უარი თქვა.
ორმა მოვლენამ აიძულა ბლუმი შეეცვალა თავისი პირვანდელი პოზიცია: 1. ლონდონში ვიზიტი, 2. სენატის და მემარჯვენე პრესის მკვეთრად უარყოფითი რეაქცია.
23-24 ივლისს ლონდონში ვიზიტის მიზეზი არ ყოფილა ესპანეთის კრიზისი, მაგრამ ნათელია ეს იქნებოდა დისკუსიის მთავარი საგანი. ბლუმმა აღმოაჩინა, რომ ინგლისის მთავრობის დამოკიდებულება მისი პოზიციისგან მკვეთრად განსხვავებული იყო.
სათანადო ლიტერატურის შესწავლის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ:

1. ბრიტანეთის მთავრობის პოზიციას მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ბლუმის გადაწყვეტილებაზე, მაგრამ არა გადამწყვეტი.
2. გერმანიასთან ომის შიში არ თამაშობდა დიდ როლს ბლუმის გადაწყვეტილებაში. გერმანიის „გადაიარაღება“ ჯერ ადრეულ ეტაპზე იყო.
3. გარისკვის შიშმა ხელი შეუშალა ბლუმს, მტკიცე პოზიცია დაეკავებინა ესპანეთის რესპუბლიკის დახმარებასთან დაკავშირებით.
4. საფრანგეთის კაბინეტი გახლეჩილი იყო. მაშინ როცა ორი გავლენიანი რადიკალი მინისტრი- დალადიე (თავდაცვის მინისტრი) და დელბოსი (საგარეო საქმეთა მინისტრი) წარმოადგენდნენ ჩაურევლობის პოლიტიკის სიმბოლოს და მთავარ დამცველებს, სამართლიანია ითქვას, რომ ესპანეთის საქმეებში რადიკალური პარტია ობსტრუქციულ ძალას წარმოადგენდა.

23. ზაალ გოგენია
ესპანეთის სამოქალაქო ომის ინტერნაციონალიზაციის მცდელობა შიდა აქტორების მიერ (1936 წლის ივლისი-აგვისტო)

ინტერნაციონალიზაცია ესაა პროცესი როდესაც მკაფიო და გაცნობიერებული გადაწყვეტილება მიიღება: გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის შიდა კონფლიქტში საომარი მოქმედებების თუ მოლაპარაკებების ნებისმიერ ეტაპზე საერთაშორისო აქტორების ჩართვის შესახებ. მისი ალტერნატიული სტრატეგია არის იზოლაცია.
გადაწყვეტილება ინტერნაციონალიზაციის (ან იზოლაციის) შესახებ შეიძლება მიღებულ იქნას სხვადასხვა სუბიექტების (აქტორების) მიერ: ესენია გარეშე აქტორები (მაგალითად: მეზობელი ან ჰეგემონი სახელმწიფო) და კონფლიქტის მონაწილე ერთერთი (ან ორივე) მხარე.
რა მიზანი ამოძრავებთ კონფლიქტის მონაწილე მხარეებს? გამოვყოთ ორი ძირითადი ინტერესი: სამხედრო მხარდაჭერა და საერთაშორისო ლეგიტიმურობა. პირველს შეგვიძლია ვუწოდოთ სამხედრო ინტერნაციონალიზაცია რომელსაც კონფლიქტის მხარეები მიმართავენ უცხოური სამხედრო და ლოჯისტიკური მხარდაჭერის მოსაპოვებ-

ლად, თავიანთი პოზიციის გასაუმჯობესებლად. მეორე ესაა პოლიტიკურ ინტერნაციონალიზაცია როცა მხარეები ცდილობენ მათი საქმისთვის პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვებას. უნდა ითქვას ლეგიტიმურობის თვალსაზრისით სახელმწიფო უფრო კომფორტულ მდგომარეობაშია ვიდრე მეამბოხე ორგანიზაცები.

ესპანეთის სამოქალაქო ომი, კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციის შესწავლის თვალსაზრისით მეტად საინტერესოა.

პირველადი წყაროების (დოკუმენტები, საარქივო მასალები) და სათანადო ლიტერატურის ანალიზის შედეგად შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი მომენტები:

1. საერთაშორისო კონტექსტმა დიდად განსაზღვრა ესპანეთის სამოქალაქო კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციის პროცესი, თუმცა ამას თვითონ შიდა აქტორებმა შეუწყვეს ხელი. უცხო სახელმწიფოებს არ გამოუხატავთ სურვილი ჩარეულიყვნენ ამ ომში, პირიქით პირველ ეტაპზე ისინი თავს იკავებდნენ ამ აქტისგან.
2. დახმარება ითხოვა ორივე მხარემ. მალე გაირკვა, რომ საკუთარი ძალებით სწრაფ გამარჯვებას ვერცერთი მიაღწევდა. დახმარების თხოვნაში იგულისხმება ტექნიკური მხარდაჭერა, ძირითადად საავიაციო სფეროში. ადამიანურ რესურსზე საუბარი არ ყოფილა.
3. პირველობა ესპანეთის რესპუბლიკის კანონიერ მთავრობას ეკუთვნის. მან დახმარებისთვის მიმართა საფრანგეთს, საბჭოთა კავშირს და გერმანიას. საფრანგეთის შემთხვევაში პრემიერ მინისტრმა ხოსე ხირალმა პირადად გაუგზავნა დეპეშა ფრანგ კოლეგას, საბჭოთა კავშირს დახმარება სთხოვა ხირალმა, პარიზში სსრკ დიპლომატიურ წარმომადგენელთან წერილში, ხოლო გერმანიის შემთხვევაში საგარეო საქმეთა მინისტრმა ბარსიამ გერმანიის საავიაციო ასოციაციის წარმომადგენელ შტურმთან დააფიქსირა რესპუბლიკის სურვილი.
4. ხოსე ხირალმა შეცდომა დაუშვა, პარიზში გამოგზავნილი დეპეშა (რომელსაც მომდევნო დღეს კონკრეტული წერილი მოყვა) ესპანეთის საელჩოს გვერდის ავლით, პირადი ემისრის ხელით უნდა გამოეგზავნა.
5. საფრანგეთის უმოქმედობას არ აუძულებია ესპანეთის რესპუბლიკის მთავრობა საბჭოთა კავშირისთვის მიემართა. მას ეს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა.
6. მემაბოხე გენერლებმა დახმარება ითხოვეს იტალიასა და გერმანიაში, დახმარებას ითხოვდნენ გენერლები ფრანკო, მოლა და კეიპო დე ლიანო. მართალია, ცალცალკე და ოდნავ განსხვავებული მოთხოვნებით, მაგრამ ეს აქტები ასე თუ ისე კოორდინირებული იყო. სხვა საკითხია ვინ როგორ ისარგებლა ამ დახმარებით პირველობისთვის ბრძოლაში. საწყის ეტაპზე ეს საკითხი მწვავედ არ იდგა.
7. ფრანკომ იტალიაში სპეციალური მანდატით გაგზავნა ბოლინი, თუმცა მის ჩასვლამდე დიპლომატიური გზით სცადა საკითხის მოგვარება. ორი დეპეშა გააგზავნა მან ტეტუანში იტალიის საკონსულოს გზით, მაგრამ ორივე დაბლოკა მუსოლინიმ. მოლამ თავისი ემისრები შესაბამის რწმუნებით გამოგზავნა, და კიდევ ერთი წერილი მუსოლინის სახელზე რომელიც ბოლინის და სხვა პირების ჩამოსვლას აანონსებდა ეკუთვნოდა დევნილობაში მყოფ ალფონსო XIII.
8. გერმანიაში მისიის გაგზავნამდე, ფრანკომ კვლავ დიპლომატიურ გზებს მიმართა მაგრამ არ გაამართლა. პარტიული ხაზით მეტ წარმატებებს მიაღწია. ჰიტლერთან პირადი წერილით ფრანკომ გააგზავნა ორი გერმანელი და ერთი ესპანელი ოფიცერი. ერთ დოკუმენტში საუბარია მეორე წერილზე გერინგის სახელზე მაგრამ მისი არსებობა არ დასტურდება.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების

	მომხსენებლები		დრო და ადგილი
1	თ. წითლანაძე, თ. ქარჩავა, ა. გოგოლაძე, ნ. სილაგაძე	XII-XIII საუკუნების ჯვაროსნული სახელმწიფოებისა და საქართველოს სოციალური სტრუქტურა“ (შედარებითი კვლევის პერსპექტივა)	2015 წლის მარტი ლა ვალეტა, მალტა
2	თეიმურაზ პაპასქირი	XXI საუკუნის რუსეთის საგარეო პოლიტიკის ხელახალი შეფასებისთვის	ვარშავა, პოლონეთი, 10-13 ივლისი
3	ლეილა (ია) ხუბაშვილი	National and European Aspects of Cultural Heritage on the Caucasus Example	ფლორენცია, იტალია, 14-15 მარტი

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1. თეა წითლანაძე, თეა ქარჩავა, ანდრო გოგოლაძე, ნიკოლოზ სილაგაძე

XII-XIII საუკუნების ჯვაროსნული სახელმწიფოებისა და საქართველოს სოციალური სტრუქტურა“ (შედარებითი კვლევის პერსპექტივა)

წარმოდგენილი მოხსენება საგრანტო პროექტის ნაწილია, რომლის სათაურია: „საქართველო და ჯვაროსნული აღმოსავლეთი ჟაკ დე ვიტრის წერილების მიხედვით“. საგრანტო პროექტის ერთ-ერთი მიზანი XII – XIII საუკუნეების საქართველოს შესახებ წყაროებში არსებული მონაცემების ჯვაროსნული აღმოსავლეთის ისტორიის კონტექსტში განზოგადებაა.

წინამდებარე ნაშრომში ორ არსებით საკითხს შევეხებით: *ა) შეიძლება თუ არა კვლევის შედარებითი მეთოდის ეფექტურად გამოყენება შუა საუკუნეების სოციალური ყოფის შესასწავლად; ბ) რა არის ის უმთავრესი ინდიკატორი, რომელიც XII-XIII საუკუნეების საქართველოს სამეფოსა და ჯვაროსნულ სახელმწიფოებს განასხვავებს.* გრანტის ფარგლებში, ჩვენ მრავალმხრივად შევისწავლეთ ქართულ და ჯვაროსნულ სახელმწიფოებს შორის არსებული მსგავსება - განსხვავებები. კვლევამ მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ XII-XIII საუკუნეების საქართველოში არ არსებობდა წოდებები, რომელიც ასე დამახასიათებელი იყო შუა საუკუნეების ევროპისთვის, რომელიც სამწევროვანი საზოგადოების ტიპირ მოდელს წარმოადგენდა. ჩვენი აზრით, სწორედ წოდებების არსებობა-არარსებობა წარმოადგენს ქართული და ევროპული ფეოდალიზმის მთავარ განმასხვავებელს.

ეს დასკვნა, ვფიქრობთ, ძალზე მნიშვნელოვანია შუა საუკუნეების ქართული სოციალური ისტორიის შესწავლის კონტექსტში:

1) დღის წესრიგში დგება საქართველოს ისეთ კულტურებთან, მაგალითად ბიზანტიასთან, შედარების პერსპექტივა, სადაც წოდებები არ არსებობდა (მით უფრო თუკი საქართველოსთან მის გეოგრაფიულ სიახლოვეს გავითვალისწინებთ).

2) ეს დასკვნა საშუალებას გვაძლევს წერტილი დავუსვათქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე პოპულარულმოძველებულ დისკუსიებს. მაგალითად ისეთებს, როგორიცაა დავა ყუთლუ-არსლანის დასის შესახებ.

1185 წელს საქართველოს მეფე თამარის წინააღმდეგ ადგილი ჰქონდა გამოსვლას. აჯანყებულები საკანონმდებლო ორგანო „ისნის კარავის“ შექმნას ითხოვდნენ. ქართველი ისტორიკოსები ხშირად ამ ფაქტს 1215 წლის თავისუფლებათა დიდი ქარტიის შექმნასა და ინგლისს და საფრანგეთში XIII-XIV საუკუნეებში პარლამენტების წარმოქმნის პროცესს ადარებენ. ეს შედარება, ბუნებრივია, ყოველგვარ აზრს კარგავს თუკი გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში წოდებები არ არსებობდა. ვინაიდან ინგლისური პარლამენტი და ფრანგული გენერალური შტატები სწორედაც წოდებ-

რივ-წარმომადგენლობითი ორგანოები იყვნენ.

2. თეიმურაზ პაპასქირი

XXI საუკუნის რუსეთის საგარეო პოლიტიკის ხელახალი შეფასებისთვის

მოხსენებაში გაანალიზებულია რუსეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ნაბიჯები ვლადიმირ პუტინის რუსეთის ხელისუფლებაში მოსვლის პერიოდიდან მოყოლებული. მასში ნაჩვენებია, თუ როგორ შეიცვალა რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ. პუტინის ახალმა იმპერიალისტურმა პოლიტიკამ რუსეთს მოუტანა გარკვეული ტერიტორიული წარმატებები: შეერთებულ იქნა ყირიმი; აღმოსავლეთ უკრაინაში შექმნა პლაცდარმი; დაამყარა სრული კონტროლი აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთზე. მიუხედავად ამისა, ეს მოქმედებები ცივილიზებული სამყაროს მიერ არ იქნა ცნობილი. შესაბამისად, ეს მიღწევები დროებით ხასიათს ატარებს. რუსეთმა დაკარგა სტაბილური და პრორუსული სამეზობლოს შექმნის შესაძლებლობა. ყირიმის ანექსიის შემდეგ უკრაინელების დიდმა უმრავლესობამ ზურგი აქცია რუსეთს და მათი დამოკიდებულება უცვლელი იქნება, სანამ ყირიმი რუსეთის ხელთ იქნება. უფრო მეტიც, 2014 წლამდე ყველა არჩევნები უკრაინაში მეტად დაძაბული იყო და გამარჯვებულის დასახელება ჭირდა. ყირიმის ანექსიის შემდგომ, რომელიც პრორუსული პარტიების დასაყრდენი იყო, სიტუაცია შეიცვალა და უახლოეს მომავალში არჩევნები პროდასავლური პოლიტიკური გაერთიანებები დომინაციის პირობებში ჩაივლის. იგივე ეხება საქართველოსაც, რომელიც არასდროს დათანხმდება რუსეთთან ურთიერთობების სრულ ნორმალიზებას, სანამ რუსული ჯარები დგას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში და სანამ რუსეთი მათ საქართველოს ნაწილად არ სცნობს. უკრაინაში რუსეთის მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა ბელარუსშიც კი გამოიწვია უკმაყოფილება. შესაბამისად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკამ შექმნა ანტირუსული განწყობილებები როგორც უშუალოდ მის სამეზობლოში, ისე მთელ მსოფლიოში.

3. ლეილა (ია) ხუბაშვილი

კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული და ევროპული ასპექტები კავკასიის მაგალითზე

საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე ყოველთვის იყო კულტურათა გზაჯვარედინი. აქ თავს იყრდია როგორც აღნოსავლური ასევე დასავლური კულტურული ღირებულებები და ფასეულობები.

თუ XIX საუკუნემდე ქართულ კულტურასა და ხელოვნებაში უმეტესად შეიმჩნეოდა ბიზანტიური და აღმოსავლური გავლენა, რაც ძირითადად არქიტექტურაში აისახებოდა XIX საუკუნის ბოლოდან მან ევროპული იერსახე მიიღო, რაშიც უდიდესი როლი შეასრულეს იტალიელმა და გერმანელმა არქიტექტორებმა, მხატვრებმა, მეცნიერებმა და მეწარმეებმა.

მაგრამ მიუხედავად ამისა ქართულ კულტურულ მემკვიდრეობას არ დაუკარგავს თვითმყოფადობა, იდენტობა რომელიც მას გამოარჩევს სხვა უძველესი კულტურებიდან. ბევრი ქართული მატერიალური თუ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი შესულია იუნესკოს სიაში. პროექტის მიზანია აჩვენოს ქართული კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული და ევროპული ასპექტები.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	თუკიდიდეს ისტორია ინტერდისციპლინურ კონტექსტში	პროფ. ლევან გორდეზიანი, ასოც. პროფ. ირინა დარჩია	1. ლევან გორდეზიანი 2. რისმაგ გორდეზიანი 3. ირინა დარჩია 4. ანა ჟორჟოლიანი 5. თამარ ლეჟავა 6. თათია მთვარელიძე 7. მარიამ გოგალაძე	ადგილობრივი, თსუ
2	„ლიონის, ფერარა-ფლორენციის კრება და საქართველო“	პროფ. მურმან პაპაშვილი	1. მურმან პაპაშვილი 2. წითლანაძე თეა 2. ქარჩავა თეა 3. სილაგაძე ნიკოლოზ 4. კვაჭაძე ბექა 5. წკრიალაშვილი თამარი	ადგილობრივი, თსუ
3	დასავლეთის თვალით დანახული XXI საუკუნის დასაწყისის რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკა (2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომისა და რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის მაგალითზე)	პროფ. თეიმურაზ პაპასქირი	1. თეიმურაზ პაპასქირი 2. კახაბერ ყალიჩავა 3. გიორგი ჩართოლანი	ადგილობრივი, თსუ

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

1. თუკიდიდეს ისტორია ინტერდისციპლინურ კონტექსტში

პროექტის ფარგლებში კვლევა წარიმართა შემდეგი ოთხი მიმართულებით: 1) თუკიდიდეს „ისტორიის“ აქტუალობა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებისათვის; 2) თუკიდიდეს „ისტორიის“ ინტერპრეტაცია XX საუკუნის იდეოლოგიური პოზიციებიდან; 3) თუკიდიდეს „ისტორიაში“ დადასტურებული სიტყვების ლექსიკურ-სტატისტიკური ანალიზი ციფრული მეთოდების გამოყენებით; 4) თუკიდიდეს „ისტორიის“ სტრუქტურული ორგანიზაციისათვის.

კვლევის პრობლემატიკა და, შესაბამისად, მისი შედეგები აქტუალურია არა მხოლოდ ჰუმანიტარული მეცნიერებების (ისტორიისა და ფილოლოგიის), არამედ სოციალური მეცნიერებების, კერძოდ, პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო ურთიეთობების თვალსაზრისით. გარდა ამისა, თუკიდიდეს „ისტორიის“ კვლევა თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური კონტექსტში, კვლევის უახლესი, ციფრული

მეთოდების გამოყენებით ხელს უწყობს კლასიკური სიძველეთმცოდნეობის აქტუალიზაციას და პოპულარიზაციას.
თუკიდიდეს „ისტორიის“ ფილოლოგიური ასპექტების კვლევა ციფრული მეთოდების გამოყენებით დღემდე არ განხორციელებულა არც საქართველოში, არც მის ფარგლებს გარეთ და, გარდა ამისა, დასავლური სამეცნიერო წრეებისათვის უცნობია თუკიდიდეს ინტერპრეტაცია საბჭოთა იდეოლოგიის კონტექსტში. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტის კვლევის შედეგები ყურადსაღები და გასათვალისწინებელია არა მხოლოდ ქართული, არამედ დასავლური სამეცნიერო საზოგადოებისათვისაც.

2. „ლიონის, ფერარა-ფლორენციის კრება და საქართველო“

პროექტის ფარგლებში ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ლიონისა და ფერარა-ფლორენციის კრების უნიას არ აღიარებდა, მაგრამ რომაულ-კათოლიკურ ეკლესიასთან გაუფორმებელ კავშირს ინარჩუნებდა. ამას კარგად მოწმობს ის ფაქტი, რომ საქართველოში კათოლიკეთა ეკლესია XIII-XV სს. ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ეწეოდა საქმიანობას, ხოლო მისიონერების მოღვაწეობა ქართველ არქიელთა წინააღმდეგობას არ ხვდებოდა. რამდენადაც ქართული ეკლესია ერთიანობის აღდგენას სქიზმამდელი პოზიციებიდან განიხილავდა, უნია გამორიცხული ჩანდა, რადგან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დოგმატურ საკითხებზე კომპრომისზე არ მიდიოდა. ამით იგი გამოირჩეოდა კონსტანტინოპოლის ეკლესიისაგან, რომელმაც ორჯერ მოაწერა ხელი უნიას და შემდეგ ორივეჯერ უარყო, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა აღმოსავლეთის ეკლესიებზე. კვლევამ მოგვცა საფუძველი ვიფიქროთ, რომ ქართული მართლმადიდებელი ეკლესია, რომს ოფიციალურად ფერარა-ფლორენციის კრებაზე (1438-1439 წწ.) დაშორდა. მიუხედავად ამისა, საქართველოში ანტიუნიატური განწყობილება არ სუფევდა, არც ანტიუნიატური თხზულებები, როგორც ბიზანტიაში, არ შექმნილა. ეს აიხსნება იმით, რომ საგარეო საფრთხის წინაშე მარტოდ დარჩენილი საქართველო რომთან მისასვლელ გზას ვერ მოიჭრიდა. ეს ხაზს უსვამდა იმას, რომ ქართული ეკლესიის არქიელები ქვეყნის საერო მესვეურთა ევროპულ საგარეო პოლიტიკას მხარს უჭერდნენ.

3. დასავლეთის თვალით დანახული XXI საუკუნის დასაწყისის რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკა (2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომისა და რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის მაგალითზე)

პროექტის ფარგლებში ჩატარებულმა კვლევის შედეგად შესწავლილ იქნა დასავლელ მკვლევართა (ძირითადად, ინგლისურენოვანი) ნაშრომები. დადგინდა, რომ ყირიმის ანექსიის შემდეგ დაწერილი ნაშრომები, განსხვავებით 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ შექმნილი გამოკვლევებისაგან, ბევრად უფრო რადიკალურად განიხილავს რუსეთის საგარეო პოლიტიკას. მხოლოდ რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიამ და მისმა აქტიურმა ჩარევამ უკრაინის შიდაპოლიტიკურ ვითარებაში დაარწმუნა დასავლური სამყარო, რომ ადგილი ჰქონდა რუსეთის მხრიდან ნეოიმპერიალისტური პოლიტიკის წარმოებას და დაადასტურა იმ მკვლევართა თუ პოლიტოლოგთა აზრი, ვისაც მანამდე ხშირად სუბიექტურებს უწოდებდნენ რუსეთთან მიმართებაში. პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგად მომზადდა სტატია, რომელიც გაგზავნილ იქნება დასაბეჭდად უცხოურ რეცენზირებად ჟურნალში.

IV. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო

	მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით			(ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1				
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დებულების მე-2 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საქართველოს ისტორიის

სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

2015 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში

თბილისი

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება – საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი – პროფ. თედო დუნდუა
* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა – პროფ. ჯაბა სამუშია, პროფ. მარიამ ჩხარტიშვილი, ასოც. პროფ. მიხეილ ბახტაძე, ასოც. პროფ. აპოლონ თაბუაშვილი, ასოც. პროფ. ბონდო კუპატაძე, ასოც. პროფ. გიორგი ოთხმეზური, ასოც ასოც. პროფ. ქეთევან ნადირაძე, ასოც. პროფ. დიმიტრი შველიძე, ასოც. პროფ. ნიკო ჯავახიშვილი, ასისტ.-პროფ. ალექსანდრე ბოშიშვილი, ასისტ.-პროფ. ლერი თავაძე, ასისტ.-პროფ. ქეთევან ქუთათელაძე.

I. 1. <u>საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით</u> 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
(ეხება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			

I. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ქართული ნუმიზმატიკის	სსიპ – შოთა რუსთაველის	პროფ. თედო დუნდუა	პროფ. თედო დუნდუა, ისტ. მეც.

	ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი	ეროვნული სამეცნიერო ფონდი; გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი № 30/23		დოქტ. გიორგი დუნდუა, ასოც. პროფ. აპოლონ თაბუაშვილი, ასისტ.-პროფ. ალექსანდრე ბოშიშვილი, ასისტ.-პროფ. ლერი თავაძე, ისტ. დოქტ. ნათია ფიფია, დოქტორანტი აკაკი ჩიქობავა, დოქტორანტი ემილ ავდალიანი, საქართველოს ისტორიის მაგისტრი ნინო ხარშილაძე
2015 წელს დასრულდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი – „ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი“. აღნიშნული პროექტი ხორციელდებოდა 2013-2015 წლებში. ონლაინ კატალოგის ფარგლებში წარმოდგენილია ქართული ნუმიზმატიკის ჩვენთვის ცნობილი ყველა ტიპი უძველესი დროიდან XIX საუკუნის 30-იანი წლების ჩათვლით; მოცემულია მათი დეტალური ანალიზი (იხ. www.geonumismatics. tsu.ge).				

I. 4.

2	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	ტაო-კლარჯეთის ქართული ციხე-სიმაგრეები	სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	პროფ. ჯაბა სამუშია	პროფ. ჯაბა სამუშია, ასოც. პროფ. ბონდო კუპატაძე, ასისტ.-პროფ. ალექსანდრე ბოშიშვილი, ასისტ.-პროფ. ლერი თავაძე, დოქტორანტი აკაკი ჩიქობავა, დოქტორანტი ოქროპირ ჯიქური, ასოც. პროფ. ნინო სილაგაძე, ასოც. პროფ. ლევან სილაგაძე, ფილოლოგიის დოქტორი მზისა ბუსკივაძე
პროექტის ფარგლებში თურქეთის ტერიტორიაზე ისტორიულ ქართულ				

პროვინციებში – ჩრდილში, არტაანში, ერუშეთში, კლარჯეთში, შავშეთში, ტაოში, კოლაში და სხვ. – მოეწყო ოთხი სამეცნიერო ექსპედიცია, მოხდა აღნიშნული პროვინციების ტერიტორიაზე არსებული ქართული ციხე-სიმაგრეების აღწერა, ფოტოფიქსაცია, აზომვა, გრაფიკული მონახაზების გაკეთება, ყველა ციხე-სიმაგრის არქიტექტურული გეგმის შედგენა და ძეგლების შესაძლო მხატვრული რეკონსტრუქციის შექმნა. პროექტის ფარგლში მომზადდა ციხე-სიმაგრეების შესახებ ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი, ხელოვნებათმცოდნეობითი, ეთნოგრაფიული გამოკვლევა.

I. 5

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი, ტ. I (დმანისი რაიონი)	სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ასოც. პროფ. გიორგი ოთხმეზური	ასოც. პროფ. გიორგი ოთხმეზური, ასოც. პროფ. ირინა მირიჯანაშვილი, ასისტ.-პროფ. ალექსანდრე ბოშიშვილი, დოქტორანტი ელზა ხაინდრავა, დოქტორანტი შოთა მათითაშვილი, დოქტორანტი ნიკოლოზ ჟღენტი, დიმიტრი ცუცქირიძე
პროექტის ფარგლებში დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოეწყო სამეცნიერო ექსპედიცია. ექსპედიციამ დააფიქსირა სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი რამდენიმე ეპიგრაფიკული ძეგლი და აღმოაჩინა ახალი წარწერები. ამჟამად მიმდინარეობს მოპოვებული მასალის დამუშავება.				

II. 1. პუბლიკაციები:
ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თედო დუნდუა, გიორგი დუნდუა. შემდგენლები: ალექსანდრე ბოშიშვილი, აპოლონ თაბუაშვილი, ლერი	ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. IV ნაწილი/Catalogue of Georgian Numismatics. Part	თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“	140 გვ., A4

	თავაძე, აკაკი ჩიქობავა, ემილ ავდალიანი, ნათია ფიფია	Four		
2	თედო დუნდუა, გიორგი დუნდუა. შემდგენლები: ალექსანდრე ბოშიშვილი, აპოლონ თაბუაშვილი, ლერი თავაძე, ემილ ავდალიანი, აკაკი ჩიქობავა	ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. III ნაწილი/Catalogue of Georgian Numismatics. Part Three	თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“	324 გვ., A4
3	**თედო დუნდუა,** გიორგი დუნდუა, ალექსანდრე ბოშიშვილი, აპოლონ თაბუაშვილი, ლერი თავაძე, აკაკი ჩიქობავა, ემილ ავდალიანი, ნათია ფიფია, ნინო ხარშილაძე	ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი	http://geonumismatics.tsu.ge	
4	აპოლონ თაბუაშვილი, გიორგი ჟუჟუნაშვილი	მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა რუსული ტექსტის ქართული თარგმანი, გამოკვლევით, კომენტარებით, საძიებლებითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აპოლონ თაბუაშვილმა და გიორგი ჟუჟუნაშვილმა	თბილისი, გამომც. „მერიდიანი“	127 გვ., A5
5	ალექსანდრე	ქართლის სამეფოს	თბილისი,	A5, 224 გვ.

	ბოშიშვილი	სამხრეთის საზღვარი და სამხრეთის პროვინციები (XV-XVIII სს.),	„მერიდიანი“	

1. ქართული ნუმიზმატიკის კატალოგის მეოთხე ნაწილში მიმოხილულია სამონეტო საქმე და სამონეტო მიმოქცევა XVII საუკუნის-XIX საუკუნის 30-იანი წლების საქართველოში. 2015 წელს დასრულდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი – „ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი“. ეს არის კატალოგის მეოთხე ნაწილის ბეჭდური ვერსია. წიგნი ორენოვანია და ის ხელმისაწვდომია როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე.

2. ქართული ნუმიზმატიკის კატალოგის მესამე ნაწილში მიმოხილულია სამონეტო საქმე და სამონეტო მიმოქცევა XI-XVI საუკუნეების საქართველოში. წიგნში აღწერილია შემდეგი სამონეტო ჯგუფები: ქართულ-ბიზანტიური მონეტები, ქართული საკრედიტო ფული (XII საუკუნე-XIII საუკუნის 20-იანი წლები), ქართველ მეფეთა მონეტები XIII-XIV საუკუნეებში, მონღოლური საოკუპაციო მონეტები, XIII-XV საუკუნეების დასავლურქართული ფული, XV-XVI საუკუნეების ქართველ მეფე-მთავართა მონეტები. წიგნი ორენოვანია და ის ხელმისაწვდომია როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე.

3. 2015 წელს დასრულდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი – „ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი“. აღნიშნული ონლაინ-კატალოგის ფარგლებში წარმოდგენილია ქართული ნუმიზმატიკის ჩვენთვის ცნობილი ყველა ტიპი უძველესი დროიდან XIX საუკუნის 30-იანი წლების ჩათვლით, მოცემულია მათი დეტალური ანალიზი. საიტი ორენოვანია და ის ხელმისაწვდომია როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე.

4. მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა. ნაშრომი წარმოადგენს 1819 წელს შედგენილი რუსულენოვანი ტექსტის ქართული თარგმანის პუბლიკაციას გამოკვლევით, კომენტარებით, საძიებლებით და ფაქსიმილეებით. დოკუმენტი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (Ros-110). მის ავტორია იოსებ შაგუბატოვი. თხზულების ავტორისეული სათაურია: „აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა“. წყარო ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი საკითხის შესახებ მდიდარ ინფორმაციას გვაწვდის. ხელნაწერი ეხება საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობას, ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს, ასევე, კავკასიის სხვა ხალხებთან სავაჭრო-ეკონომიკურ და სხვა ურთიერთობებს.

5. ნაშრომში განხილულია ქვემო ქართლის სამხრეთის მხარეები: ყაიყული, ტაშირი, სომხითი, ბამბაკი, ყაზახი, ბორჩალო და სხვ. შესწავლილია ქვემო ქართლის ტერი-ტორიაზე მომთაბარე თურქმანული ტომების (ბორჩალო, დემურჩი ასანლუ, შამშადილუ, ბაიდარი და სხვ.) ჩამოსახლება, მათი დამკვიდრება და შემდგომი თავგადასავალი. ნაშრომში წარმოჩენილია ქართველი მეფეების ღვაწლი, თუ როგორ მოახერხეს XV-XVIII საუკუნეების ქართლის სამეფოში ირანის შაჰების მიერ სამტროდ და ქართველების გადაშენების მიზნით ჩამოსახლებული უცხოტომელების ქვეყნის სამხედრო და ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვა. ცნობილია, რომ ჩამოსახლებულთა არაერთმა წარმომადგენელმა ქვეყნისთვის ბრძოლისა და მშენებლობის საქმეში გამოიჩინა თავი.

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თედო დუნდუა	სამონეტო საქმე კოლხეთსა და იბერიაში (ზოგადი მიმოხილვა – ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული	IX	თბილისი, „მერიდიანი“	გვ. 338-348

		ონლაინ კატალოგის პრეზენტაცია). თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები			
2	აპოლონ თაბუაშვილი, გიორგი ჟუჟუნაშვილი	რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის წერილი. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები	IX	თბილისი, „მერიდიანი“	გვ. 230-238
3	ლერი თავაძე	სილენტიარიოსის ტიტული საქართველოსა და ბიზანტიაში. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები	IX	თბილისი, „მერიდიანი“	გვ. 60-88
4	ნიკო ჯავახიშვილი	ირანის ბოლო სამეფო დინასტია და ქართველები. თსუ ჰუმანიტა-რულ მეცნიერება-თა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტი-ტუტის შრომები	ტ. IX	თბილისი, „მერიდიანი“	გვ. 278-315
5	მიხეილ ბახტაძე	ქართული ტიტულატურა ტაო-კლარჯეთის სამეფოს მმართველ ბაგრატიონთ დინასტიაში. თსუ ჰუმანიტარულ	ტ. IX	თბილისი, „მერიდიანი“	გვ. 89-122

		მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები			
6	მიხეილ ბახტაძე, როლანდ თოფჩიშვილი, ბონდო კუპატაძე, დიმიტრი შველიძე	საქართველოს ისტორიის დამახინჯების შესახებ აზერბაიჯანულ გამოცემებში. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები	ტ. IX	თბილისი, „მერიდიანი“	გვ. 355-372
7.	დიმიტრი შველიძე	ვარლამ ჩერქეზიშვილი – სახელმწიფოს მშენებელი ანარქისტი. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები	ტ. IX	თბილისი, „მერიდიანი“	გვ. 253-260
8.	ჯაბა სამუშია	ისევ სვეტის ციხის შესახებ. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები	ტ. IX	თბილისი, „მერიდიანი“	გვ. 143-153

1. სტატია მოთავსებულია რუბრიკაში „საერთაშორისო პრეზენტაცია“. ნაშრომი წარმოადგენს იმ მოხსენების ქართულ ტექსტს, რომელიც წაკითხულ იქნა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის მიერ მოწყობილ საერთაშორისო კონფერენციაზე (ანტიკური კულტურისა და მისი მემკვიდრეობის აქტუალური პრობლემები, 23-27 სექტემბერი, 2014 წელი, თბილისი). მასში მიმოხილულია სამონეტო საქმე კოლხეთსა და იბერიაში ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ კატალოგის მიხედვით.

2. სტატია ეხება იმპერატორ ალექსანდრე I-ის წერილს, რომლის ადრესატი იყო ტულის სამოქალაქო გუბერნატორი ივანოვი. წერილი თარიღდება 1805 წლის 11

აპრილით. წერილში საუბარია იულონ ბატონიშვილის რუსეთში გადასახლების საკითხებზე. წერილში იმპერატორი სამოქალაქო გუბერნატორს მკაცრ ინსტრუქციებს აძლევს. სტატიის ბოლო ნაწილი ეთმობა წყაროს ქართულ და რუსულ ენებზე პუბლიკაციას.

3. სტატიაში წარმოდგენილია სილენტიარისის ტიტულის წარმოქმნის, გავრცელების და უფლება-მოვალეობების ისტორია. წყაროებისა და სპეციალური ლიტერატურის ანალიზის მიხედვით აღწერილია აღნიშნული ტიტულის ბიზანტიაში გავრცელება, ასევე ეგრისის მეფე გუბაზ II-ის მიერ მისი მიღებისა და ფლობის ისტორია. სილენტიარიოსის ტიტულის სარგო, დანიშვნის ცერემონია, ინსიგნიები და ინვესტიტურა სპეციალური კვლევის ობიექტია.

4. შესწავლილია ირანის უკანასკნელ სამეფო დინასტიასთან, ფაჰლავიანებთან (ანუ ფეჰლევიდებთან) ურთიერთობაში მყოფ ქართველთა ისტორია. დადგენილია, რომ ხსენებული დინასტიის წარმომადგენელ ორ მონარქთან, რეზასთან ან მის ვაჟთან, მოჰამად რეზასთან საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა ან შეხება ჰქონდათ ქართველებს, რომელთა შორისაც იყვნენ: ბიზნესმენები და მეცენატები (აკაკი ხოშტარია), ინჟინრები (პოლკოვნიკი ივანე ვარაზაშვილი), სპორტსმენები (გიორგი ჩაგუნავა, ლევან თედიაშვილი) და სხვ.

5. სტატიაში გამოკვლეულია, თუ როდის, და რატომ გაჩნდა ტიტულები: ქართველთა მეფე, მეფეთ-მეფე, ერისთავთ-ერისთავი, ერისთავი, მამფალი. გარკვეულია მათი შინაარსი და ურთიერთდამოკიდებულება.

6. რეცენზიაში კრიტიკულად არის განხილული აზერბაიჯანელ მეცნიერთა ტენდენციური მოსაზრებები საქართველოს ისტორიის ცალკეულ მომენტებთან დაკავშირებით.

7. 1917 წელს ზაფხულში ემიგრაციიდან დაბრუნებული ვარლამ ჩერქეზიშვილი ინტენსიურად მონაწილეობდა ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს მუშაობაში. მისი აქტიურობით საფუძველი ჩაეყარა ქართული ეროვნული სამხედრო შენაერთებისა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურების შექმნას.

8. სტატიაში მიმოხილულია ის საისტორიო წყაროები, რომლებიც სვეტის ციხეს ეხება. წარმოდგენილია ახალი საგულისხმო დასკვნები სვეტის ციხის ლოკალიზაციისა და სტრატეგიული მნიშვნელობის შესახებ.

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
9	მ. ჩხარტიშვილი	დაიაენ/დიაოხი – ეთნიკური სტიგმა. ელდარ მამისთვალაშვილის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სტატიების კრებული	გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, გამომცემლობა „ჯეოპრინტი“	გვ. 231-264
10	ქეთევან ქუთათელაძე, საბა გუჯეჯიანი	სვანეთი (გზამკვლევი)	თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“	გვ. 3-39
11	ნიკო ჯავახიშვილი	ბაგრატიონთა	თბილისი,	გვ. 667-719

		შიდადინასტიური ბრძოლისა და საქართველოში საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ისტორიიდან (XVIII საუკუნე). თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მიერ გამოცემული სამეცნიერო შრომათა კრებული: „სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები“, წიგნი III, ეძღვნება პროფ. ივანე სურგულაძის ხსოვნას	გამომცემლობა „მერიდიანი“	
12	ნიკო ჯავახიშვილი	ქართულ-ებრაული მეგობრობის ისტორიის ბრწყინვალე ფურცელი. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემული სამეცნიერო შრომათა კრებული: „ელდარ მამისთვალიშვილი – 75“. ეძღვნება პროფ. ელდარ მამისთვალიშვილის დაბადების 75 წლისთავს	გორი, გამომცემლობა „ჯეოპრინტი“	გვ. 421-440
13	გიორგი ოთხმეზური, მარიამ ლორთქიფანიძე	Шида-Картли (исторический экскурс), сборник: "Осетины в Грузии"	თბილისი	გვ. 7-53
14	გიორგი ოთხმეზური	Эпиграфика северной части Шида-Картли, сборник: "Осетины в Грузии"	თბილისი	გვ. 128-161

9. ძვ.წ. XII-VIII საუკუნეების ასურულ და ურარტულ წყაროებში იხსენიება ერთობა სახელწოდებით დაიაენ/დიაოხი. თავიდან ამ ერთობას სპეციალისტები განიხილავდნენ პოლიტიკური კუთხით და საუბრობდნენ მასზე, როგორც სახელმწიფოებრივ წარმონაქმნზე. მოგვიანებით სცადეს ამ ერთობის ეთნიკური იდენტიფიკაცია. ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელდა აზრი დაიენ/დიაოხური იდენტობის ქართულ იდენტობასთან კავშირის შესახებ. ეს თვალსაზრისი არსებითად არგუმენტირებული არ ყოფილა. მის გავრცელებას კი ხელი შეუწყო იმან, რომ დაიენ/დიაოხის თემა გადაიქცა ქართული ნაციონალური ნარატივის

ქვაკუთხედ თემად და შეიძინა კოლექტიური მახსოვრობის ხატის ფუნქცია. წინამდებარე სტატიაში ეს საკითხი გააზრებულია ეთნიკურობის თანამედროვე დეფინიციის შუქზე; კერძოდ, ნაჩვენებია, რომ დაიაენ/დიაოხი წარმოადგენდა საერთო წარმომავლობის რწმენით (sic!) მარკირებულ ერთობას. ეს იყო ამ ჯგუფის თვითსახელწოდება და ნიშნავდა ქალღმერთ დაია/დიაოს ანუ დედაქალღვთაების (დედაუფლის) შვილებს. ქალღვთაების შვილობის რწმენა მიუთითებს ამ ჯგუფის მიერ საკუთარი განსაკუთრებულობის ანუ ეთნიკური რჩეულობის რწმენასაც. ასე რომ, დაიაენ/დიაოხის სახელწოდებით აღნიშნული სოციალური რეალობა წარმოადგენდა განვითარებულ ეთნიკურობას. ენობრივი მონაცემი, კერძოდ, სიტყვების დიაოხისა და დიხას (მიწა) იგივეობა (ორივე ნიშნავს „დედისას“, ხოლო მრავალ კულტურაში, მათ შორის, ქართულშიც, „მიწის“ ასოციაციური ბმა დედაქალღთაებასთან საყოველთაოდ ცნობილია) აჩვენებს ამ ერთობის კავშირს ქართველი ერის ეთნიკურ პრეფიგურაციასთან ანუ ეთნიე კოლ-თან/ კოლხთან. დიაოხი ეთნიე კოლხის ატრიბუტული სახელწოდებაა. ამ ერთობის განსახლების არეალი არ შემოიფარგლებოდა ჭოროხის აუზით; იგი ვრცელდებოდა რიონის აუზშიც და უფრო ჩრდილოეთითაც თანამედროვე სოხუმის სანახების ჩათვლით. ამ უკანასკნელ აზრს განამტკიცებს ტოპონიმი დიოსკურია რომელიც დაიაენ/დაიოხოს ეკვივალენტური ტერმინია: იგი ასევე დედა ქალღვთაების ნაშიერს (დიო – დედაქალღვთაება, სქური – ნაყარი, გამონასხური) ნიშნავს. ამგვარად, სტატიაში გაზიარებულია, ტრადიციული თვალსაზრისი, თუმცა მისი განმეორება ხდება თვისებრივად ახალი არგუმენტების მოხმობის საფუძველზე

10. წიგნში წარმოდგენილია საქართველოს მთის ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის სვანეთის ისტორია ისტორიულ-გეოგრაფიული კუთხით. ნაშრომი ბევრად სცილდება და განსხვავდება ჩვეულებრივი გზამკვლევისაგან, რომელიც მხოლოდ ტურისტული მარშრუტების დაგეგმვით შემოიფარგლება. სვანეთის მდიდარი კულტურა გაცოცხლებულია ეთნო-ლივგვისტური და ისტორიულ-კულტუროლოგიური კუთხით, რომელიც კომპლექსურ ცოდნას შეუქმნის ამ კუთხით დაინტერესებულ პირებს, არა მარტო ტურისტული, არამედ სამეცნიერო კუთხითაც. სვანეთის გაცნობის ინტერესი გასცდა საქარველოს ფარგლებს. მის გასაცნობად ჩამოდიან ტურისტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. ქართველმა მეცნიერებმა მაღალდონეზე გამოიკვლიეს სვანეთთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი, მაგრამ ეს მხარე მთლიანად რომ იქნას წარმოდგენილი მნახველთა წინაშე, საჭიროა, სვანეთთან დაკავშირებული სხვადასხვა სფერო სიღრმისეულად იქნეს შესწავლილი და და თანამედროვე სტანდარტებთან მისადაგებული. სვანეთი კუთხე-მუზეუმად უნდა გამოცხადდეს. ბუნებრივია, ტურიზმის განვითარებამ არ უნდა დაარღვიოს ის არქაულობა, რაც განსაკუთრებულ ხიბლს მატებს საქართველოს ამ ულამაზეს კუთხეს.

11. სტატიაში შესწავლილია ბაგრატიონთა შიდადინასტიური ბრძოლის ისტორია და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა საქართველოში მე-18 საუკუნეში. დადგენილია, რომ ქართლის მეფეების, ვახტანგ VI-ის და იესეს შთამომავლები მე-18 საუკუნის 30-იანი წლებიდან 80-იანი წლების დასაწყისამდე ცდილობდნენ თავიანთი კუთვნილი სამეფო ტახტის დაბრუნებას. ამის გამო, მათ ხანგრძლივი დაპირისპირება და ბრძოლა მოუხდათ ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის კახეთის შტოს წარმომადგენლებთან - თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-სთან, რომლებმაც შეძლეს შეენარჩუნებინათ ქართლი. აღნიშნულმა ბრძოლამ თავისი კვალი დააჩნია თანადროულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას საქართველოში.

12. სტატიაში შესწავლილია ქართულ-ებრაული ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ერთ-ერთი უაღესად საყურადღებო ეპიზოდი, რაც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, გერმანიის მიერ ოკუპირებულ ევროპის სახელმწიფოებში მოხდა. კერძოდ, ქართული ემიგრაციის მემარჯვენე-რადიკალურმა ნაწილმა, რომელიც გერმანიის

იმდროინდელ ხელისუფლებასთან თანამშრომლობდა, უდიდესი ძალისხმევით შეძლო ფიზიკური განადგურებისაგან ეხსნა ქართველი ებრაელების ის ნაწილი, რომელიც ნაცისტების ტყვეობაში აღმოჩნდა.
13. ქართული და უცხოური წყაროების მიხედვით გადმოცემულია შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილის განვითარების ისტორია უძველესი დროიდან დღემდე, რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, ურთიერთობა რუსეთთან და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.
14. ნაშრომში განხილულია შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილის (ცხინვალის, ჯავის, ზნაურის, ახალგორის რაიონების) V-XVIII საუკუნეების ასამდე ეპიგრაფიკული ძეგლი.

II. 2. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნიკო ჯავახიშვილი	Ieskats Gruzijas un Baltijas tautu attiecību vēsturē ლატვიურ ენაზე (ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიის ნარკვევები)	Rīga, 2015, გამოიცა ლატვიის კულტურის სამინისტროს ეგიდით	183 გვერდი, A5
2	ნიკო ჯავახიშვილი	Очерки истории грузино-балтийских взаимоотношений რუსულ ენაზე (ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიის ნარკვევები)	Рига, 2015, გამოიცა ლატვიის მეცნიერებათა აკადემიისა და ლატვიის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ინსტიტუტის ეგიდით	624 გვერდი, A5
1. ლატვიურ ენაზე გამოცემულ მონოგრაფიაში წარმოდგენილია ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიის ნარკვევები, რომლებშიც ქრონოლოგიური თანამიმდევრობით არის შესწავლილია ბალტიის ქვეყნებთან საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური და სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობის				

მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ამსახველი არაერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტი. დადგენილია, რომ ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორია 11 საუკუნეზე მეტს ითვლის.
2. რუსულ ენაზე გამოცემულ მონოგრაფიაში წარმოდგენილია ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიის ნარკვევები, რომლებშიც ქრონოლოგიური თანამიმდევრობით არის შესწავლილია ბალტიის ქვეყნებთან საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური და სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ამსახველი არაერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტი. დადგენილია, რომ ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორია 11 საუკუნეზე მეტს ითვლის.

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნა-ლის/კრებუ-ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თედო დუნდუა გიორგი დუნდუა. შემდგენლები: ალექსანდრე ბოშიშვილი, აპოლონ თაბუაშვილი, ლერი თავაძე,	Online English-Georgian Catalogue of Georgian Numismatics. AWOL (The Ancient World Online)		http://ancientworldonline.blogspot.com ISSN 2156-2253	

	აკაკი ჩიქობავა, ემილ ავდალიანი, ნათია ფიფია, ნინო ხარშილაძე				
2	მარიამ ჩხარტიშვილი	Kutsallık ve Kimlik: Gürcü Olay İncelemesi, Yeni Türkiye Kafkaslar		http://www.yeniturkiye.com	გვ. 401-409
3	ნიკო ჯავახიშვილი	Сведения о Польше и странах Балтии, сохраненные в грузинских источниках XVIII века. «Studia Prawnous-trojowe», Uniwersytet Warmińsko-Mazurski w Olsztynie, Wydział Prawa i Administracji, Olsztynie	26	ოლშტინის უნივერსიტეტის გამომცემლობა (პოლონეთი)	გვ. 95-100
4	მარიამ ჩხარტიშვილი, ზურაბ თარგამაძე, სოფიო ქადაგიშვილი	Impulse of the Great War on Georgian Identity Development. The First World War. Analysis and Interpretations. Edited by Antonello Biagini and Giovanna Motta	Vol. 2	Cambridge Scholars Publishing .	გვ. 75-86.

1. ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგის ფარგლებში წარმოდგენილია ქართული ნუმიზმატიკის ჩვენთვის ცნობილი ყველა სამონეტო ჯგუფი, მოცემულია მათი დეტალური ანალიზი.

2. სტატია თურქულ ენაზეა. ის დაბეჭდილია თურქეთის ჟურნალში *Yeni Türkiye* (http://www.yeniturkiye.com). სტატია შეეხება ქართული იდენტობის ისტორიას პრე-მოდერნულ ხანაში, კერძოდ, რელიგიის, როგორც მარკერის, მნიშვნელობას აშუქებს. ეს საკითხი ილუსტრირებულია წმ. მამა გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობის

მაგალითით.
3. სტატიაში შესწავლილია, თუ როგორ აისახა პოლონეთი და ბალტიისპირეთი მეთვრამეტე საუკუნის ქართულ წყაროებში. მათ შორის იყო ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის, უფლისწულ ვახუშტი ბაგრატიონის, უფლისწულ ლეონ ბაქარის ძე ბაგრატიონისა და ვახტანგ VI-ის ამალის წევრის, გაბრიელ გელოვანის თხზულებები. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ ხსენებული ეპოქის ქართულ ინტელექტუალურ ელიტას საკმაოდ მკაფიო წარმოდგენა ჰქონდა პოლონეთსა და ბალტიისპირეთში იმხანად განვითარებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ პროცესებზე.
4. ეს არის სტატია ინგლისურ ენაზე ამავე სახელწოდების საერთაშორისო კონფერენციის მასალების ამსახველ კრებულში. სტატია ეხება პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდში და უშუალოდ ომის დროს ქართული საზოგადოების პერცეპციებს, კულტურული ელიტის მიერ ნაციის, სახელმწიფოს, ნაციონალიზმის და სხვა ცნებების კონცეპტუალიზაციას. კრებული მომზადებულია რომის ლა საპიენცას უნივერსიტეტში და გამოცემულია დიდ ბრიტანეთში.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	თედო დუნდუა	ა) საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომების IX ტომის პრეზენტაცია; ბ) ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგის პრეზენტაცია	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია. თბილისი, 12-13 ნოემბერი
2	თედო დუნდუა	Georgia (Colchis and Iberia) Between the Empires as Seen in Coinage	Georgia Between the Empires before Coming of Islam (Scientific Conference), თბილისი, 26 ივნისი
3	თედო დუნდუა, აპოლონ თაბუაშვილი, ალექსანდრე ბოშიშვილი	XVII-XVIII საუკუნეებში საქართველოში მოჭრილი მონეტების მიმოხილვა (ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგის პრეზენტაცია)	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. IX საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას

			დაბადებიდან 125 წლისთავისადმი. თბილისი, 24-25 ივნისი
4	ლერი თავაძე	ქოროღოს ტაძრის ქტიტორთა ვინაობის შესახებ	I სამეცნიერო კონფერენცია: აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორია და სიძველეები. 19 დეკემბერი, გუდაური
5	ლერი თავაძე	მაგისტროსი ქაიანი (იბერიელი) დიმიტრი თეოდორიდისის კოლექციაში დაცული საბეჭდავის მიხედვით	თსუ ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ყოველწლიური სამენციერო კონფერენცია. 13 ნოემბერი, თბილისი
6	ლერი თავაძე	Gubaz II, King of Lazica, and Imperial Silentiarios of Byzantium	Georgia Between the Empires before Coming of Islam (Scientific Conference), თბილისი, 26 ივნისი
7	აპოლონ თაბუშვილი	სისხლის ფასების საკითხისათვის შუა საუკუნეების საქართველოში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია. თბილისი, 12-13 ნოემბერი
8	მიხეილ ბახტაძე	პოლკოვნიკი ირაკლი ცაგურია	თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის IX სამეცნიერო კონფერენცია. თსუ. 24 ივნისი
9	მიხეილ ბახტაძე	გენერალ ოდიშელიძის მიერ 1921-1922 წლებში კონსტანტინოპოლში წაკითხული მოხსენების სრული ვერსიის შესახებ	ქართველოლოგიური საერთაშორისო კონგრესი. თბილისი, 12 ნოემბერი
10	მარიამ ჩხარტიშვილი	Forging Georgian Identity in Late Antiquity: Myth of Ethnic Election	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერება-თა ფაკულტეტის მიერ ორგანიზებული ინგლისურენოვანი თემატური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია Georgia Between the

			Empires before the Coming of Islam, 26 ივნისი.
11	მარიამ ჩხარტიშვილი	ახალი დისკურსი მეფე აზოსა და არიან - ქართლის შესახებ	დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილის დაბადებიდან 200-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, გორი, 17 ნოემბერი
12	ქეთევან ქუთათელაძე	საკრალური ხევები ქრისტიანულ სარწმუნოებაში ქართული წყაროების მიხედვით	2015 წლის 28-29 მაისი, თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, მამია დუმბაძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია
13	ქეთევან ქუთათელაძე	„ქართლის ცხოვრებასა“ და „მოქცევაი ქართლისაიში“ მოხსენიებული უძველესი ღვთაება „გა/გაიმი“ სვანური ფოლკლორული მასალის ფონზე	6-10 სექტემბერი, მესტია, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, კავკასიური ცივილიზაცია: ინტერდისციპლინარული კვლევები
14	ქეთევან ქუთათელაძე	სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთი ტოპონიმის ეტიმოლოგიური ძიებისათვის	25-27 ნოემბერი, თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეულის „საქართველო – 2015“ ფარგლებში მოწყობილი სამეცნიერო კონფერენცია
15	დიმიტრი შველიძე	დამოუკიდებლობის საერთაშორისო გარანტიების ძიება (1918-1921 წწ)	პირველი დიასპორული პროფესული ფორუმი. 27 მაისი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
16	დიმიტრი შველიძე	საქართველოს ეროვნული მოძრაობის ერთი იაპონური ეპიზოდის ისტორიიდან (1900-იანი	შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის სამეცნიერო კონფერენცია. 15 ოქტომბერი. თბილისის

		წწ.)	სახელმწიფო უნივერსიტეტი.
17	დიმიტრი შველიძე	პატრიოტულ-კონსერვატიული დასი საქართველოში	საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია
18	ალექსანდრე ბოშიშვილი	ბარდუსის ციხე	საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 12-13 ნოემბერი
19	ბონდო კუპატაძე	1804 წლის მთიულეთის აჯანყების ისტორიოგრაფია	სამეცნიერო კონფერენცია: აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორია და სიძველეები. 19 დეკემბერი, გუდაური
20	ბონდო კუპატაძე	შუა საუკუნეების ციხე-ქალაქი ოლთისი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. IX საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას დაბადებიდან 125 წლისთავისადმი. თბილისი, 24-25 ივნისი
21	ბონდო კუპატაძე	აკაკი წერეთლის პოლიტიკური მსოფლმხედველობის საკითხისათვის	საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია. თსუ. 12-13 ნოემბერი
22	გიორგი ოთხმეზური	შიდა ქართლი – ქართული სახელმწიფოს და ეკლესიის განუყოფელი ნაწილი (V-XVIII სს-ის ეპიგრაფიკული ძეგლების მიხედვით)	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: ქართულ-ოსური ურთიერთობების განვითარების პერსპექტივები თანამედროვე ჭრილში, თბილისი, 13-15 ოქტომბერი
23	გიორგი ოთხმეზური	რამდენიმე უცნობი წარწერა ლორე-ტაშირიდან	საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი, I, თბილისი, 11-13 ნოემბერი

1. მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის წევრების ბოლო ორ პუბლიკაციაზე. ამათგან პირველი ამავე ინსტიტუტის სამეცნიერო ჟურნალის IX ტომია, ხოლო მეორე – ელექტრონული

წიგნი, ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი, რომელიც თსუ საიტზეა განთავსებული (www.geonumismatics.tsu.ge). IX ტომში თავმოყრილია საქართველოს ისტორიის ხანგძლივი პერიოდის ამსახველი მასალა. კრებულში სამეცნიერო სტატიების გარდა წარმოდგენილია საერთაშორისო პრეზენტაციები, რეცენზია, ქრონიკა, გამოსათხოვარი და სხვ. ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი ინტერნეტ-საიტზე განთავსებული ელექტრონული წიგნია, რომელშიც ქართული ნუმიზმატიკის ყველა ცნობილი ტიპია განხილული.

2. მოხსენებაში განხილულია საქართველოს ტერიტორიაზე მოჭრილი სხვადასხვა სამონეტო ჯგუფები: კოლხური თეთრი, ალექსანდრეს და ლისიმაქეს ტიპის სტატერების ქართული მინაბაძები, ბაგადატ ბიურატის ძის მონეტები, დიოსკურიის სპილენძის საქალაქო მონეტები, არისტარქე კოლხის დრაქმა, რომაული ფულის იბერული მინაბაძები, ქართულ-სასანური დრაქმები. ყველა აღნიშნული სამონეტო ჯგუფი ადასტურებს საქართველოში სხვადასხვა იმპერიების ძლიერ გავლენას და მნიშვნელოვნად ავსებს საისტორიო თხზულებების მონაცემებს.

3. მოხსენებაში მიმოხილულია XVII-XVIII საუკუნეების საქართველოში მოჭრილი ფული: XVII-XVIII საუკუნეების საოკუპაციო მონეტები და ქართველ მეფეთა (ვახტანგ VI-ის, თეიმურაზ II-ის, ერეკლე II-ის, გიორგი XII-ის) მონეტები. წარმოდგენილი მასალა მიზნად ისახავს ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგის პრეზენტაციას. აციები ქართულ ენაზე.

4. მოხსენებაში აქცენტი გაკეთებულია ქოროღოს ეკლესიის მშენებლობის თარიღის შესახებ და გამოთქმულია ვარაუდი, რომ მისი მშენებლობა უნდა უკავშირდებოდეს იმ პერიოდის ქართლსა და მთიულეთში მოღვაწე ფეოდალური ოჯახის წევრებს, სავარაუდოდ, დიდაზნაურებს, რომელთა მზარდი გავლენა იმ დროისთვის შესამჩნევია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში და დასურდება საისტორიო თხზულებებით.

5. მოხსენებაში განხილულია დიმიტრი თეოდორიდისის კოლექციაში დაცული 2012 წლამდე გამოუქვეყნებელი საბეჭდავი, რომელზეც აქამდე უცნობი ქართველი მაგისტროსია მოხსენიებული. ბიზანტიურ საბეჭდავზე ამოკვეთილი მაგისტროსის სახელი უნდა იყოს ქაიანი და ის სხვა საისტორიო ნარატივით უცნობია. ქაიანი სავარაუდოდ მოღვაწეობდა XI საუკუნის ბოლოს და XII საუკუნის დასაწყისში და შესაძლოა დაახლოებული იყო გრიგოლ ბაკურიანის ძესთან. ქაიანი ცნობილი „შაჰნამეს“ გმირის სახელია, რომლის უძველესი ვერსიები საქართველოში უკვე XI საუკუნეში უნდა ყოფილიყო გავრცელებული.

6. მოხსენებაში განხილულია პროკოპი კესარიელთან დაცული ცნობა ეგრისის მეფე გუბაზ II-ის მიერ სილენტიარიოსის ტიტულის ფლობის შესახებ. გუბაზმა საიმპერატორო კარის სილენტიარიოსობა მიიღო კონსტანტინოპოლში ყოფნისას 538 წლისთვის. ამ პერიოდში ის ჯერ კიდევ უფლისწულია და ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქში ცხოვრობს. გუბაზი სილენტიარიოსია მომდევნო წლებშიც, თუმცა სარგოს არ იღებს იმპერატორისგან, რისი მიზეზიც, გუბაზის ეგრისში დაბრუნება იყო. 541 წელს, ახლად გამეფებული გუბაზ II, ბიზანტელთა თავგასულობის მიზეზით, უჯანყდება მათ და ქვეყანაში ირანელებს შემოიყვანს. ამის შემდეგ, 541-548 წლებში ბიზანტიის წინააღმდეგ აჯანყებული გუბაზი აღარ სარგებლობს სილენტიარიოსის პრივილეგიებით. თუმცა, 548 წელს ირანელთა მუხანათობის გამო კვლავ უბრუნდება პრობიზანტიურ ორიენტაციას და აღიდგენს ძველ პატივს,

რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნებს.

7. მოხსენებაში ყურადღება გამახვილებული იყო გლეხების სისხლის ფასზე შუა საუკუნეებში. გლეხთა სისხლის ფასის ცვლილება ეპოქების მიხედვით გაანალიზებული იყო საკანონმდებლო ძეგლების (ბექა-აღბუღას და ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნების) და სხვა ისტორიული საბუთების („ნიკორწმინდელის დაწერილის“, „რკონის დაწერილის“ და დიდი მოურავისა და ჯავახიშვილების სასამართლო განჩინების) მიხედვით.

8. განხილულია პოლკოვნიკ ირაკლი ცაგურიას ცხოვრება და მოღვაწეობა, რომელიც ნაკლებადაა ცნობილი საზოგადოებისთვის.

9. განხილულია გენერალ ოდიშელიძის მოხსენების დღემდე გამოუქვეყნებელი ნაწილის შინაარსი.

10. მოხსენების თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ნაციის ინტერპრეტაციის ეთნოსიმბოლისტური პარადიგმა, რომლის მიხედვითაც კოლექტიურ-კულტურულ იდებნტობაზე დაფუძნებული ჩვენ-ჯგუფის წარმოშობის თუ თვითშენახვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ეთნიკური რჩეულებობის იდეოლოგიებს. ეს თეორიული მიგნება ილუსტრირებულია ქართული მაგალითით, კერძოდ, მოხსენებაში წარმოდგენილი იყო ვიან ანტიკურობაში ქართველთა რჩეულობის მითი დაფუძნებული პირველწყაროთა ანალიზზე.

11. შუა საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფიის ორი ნიმუში *მოქცევაი ქართლისაი* და *ქართლის ცხოვრება* გარკვეული მონაკვეთში მოგვითხრობს ერთიდაიმავე ისტორიულ ფაქტებზე: პირველი მათგანი მოკლედ, მეორე უფრო ვრცლად. თუმც, როგორც ეს არაერთგზის აღნიშნულა სპეციალისტების, მათ შორის, ჩემ მიერაც[1] განსხვავება ამ ძეგლების თხრობას შორის მარტო მოცულობით არ ამოიწურება. ხშირად არაერთგვაროვანია მათში წარმოდგენილი ფაქტობრივი მონაცემიც და აღწერილ მოვლენათა შეფასებაც. ამ სხვაობათა შეჯერება და ანალიზი, როგორც წესი, ძალიან საინტერესო შედეგებს გვაძლევს არა მარტო ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კუთხით, არამედ ქართული ისტორიული აზროვნების ანუ ისტორიოგრაფიის ისტორიის თვალსაზრისითაც. წინამდებარე სტატიაში ერთ-ერთ ამგვარ შემთხვევაზე შევჩერდები. სიტყვა ეხება ცენტრით მცხეთაში ქართული სახელმწიფოს დაფუძნების ისტორიას.პირველი ტექსტის ანუ *მოქცევაი ქართლისაის* მიხედვით, როგორც ვნახეთ, არსებობს მემკვიდრეობითობა აიეტის კოლხისსა და მცხეთაში ცენტრის მქონე ქართულ სახელმწიფობრიობას შორის. ეს უკანასკნელი თვისებრივ ახალი რამ არ არის ქართველთა ისტორიაში. მეორე ტექსტის ანუ *ქართლის ცხოვრების* მიხედვით კი, ეს მემკვიდრეობა თუმც თითქოს გარკვეულად იკითხება სტრიქონებს მიღმა, მაინც ფარნავაზის სამეფო სრულიად ახალი რამ არის პოლიტიკური თვალსაზრისით და კულტურულადაც. ამ ვითარების ერთი პარადოქსი ისაა, რომ ორივე ეს ურთიერთგამომრიცხავი აზრი, სრულიად უპრობლემოდ თანაარსებობს შუა საუკუნეების საქართველოში და მეორე ტექსტის დიდი ემოციური მუხტის მქონე ნარატივი სრულადაც ვერ ახშობს აზრს არიან-ქართველი წინაპრების შესახებ. განსხვავებულ თვალსაზრისთა თანაარსებობის მიზეზი, ჩემი აზრით, უნდა იყოს მეორე პარადოქსი: მიუხედავად ურთიერთგამორიცხველი ინფორმაციისა, ორივე ეს შეხედულება არსებითად სწორია: ფარნავაზის სამეფო აიეტის სამეფოს გაგრძელებაც იყო და სრულიად ახალი ეტაპიც ქართული სახელმწიფოებრიობის და იდენტობის ისტორიაში.

12. ქართული წყაროების მიხედვით, ერთ-ერთი საკრალური ხე (მარადიული სიცოცხლის სიმბოლო) მცხეთის პირდაპირ ბორცვზე მდგარა. ხე იყო ფოთლოვანი, მარადმწვანე და სურნელოვანი, „მოქცევაი ქართლისაის“ მიხედვით, დაჭრილი ირემი თუ შეჭამდა ხის ნაყოსფს, განიკურნებოდა. მირიან მეფემ სწორედ ხის

საკრალურობიდან და სწორედ ამ თვისებიდან გამომდინარე, გადაწყვიტა მისი მოჭრა. ხის მოკვეთას დაესწრნენ მირიანის ძე რევი და ეპისკოპოსი. იგი დაახლოებით ას კაცს მოჰქონდა. ხე ფოთოლდაუცვენელი იყო და მწვანე, როდესაც სხვა ხეები არ იყვნენ აყვავებულნი. ხე 25 მარტს მოჭრეს, პარასკევ დღეს, 37 დღის განმავლობაში ფოთოლს ფერი არ შეუცვლია. სწორედ ამ ხისგან გამოკვეთეს ცნობილი სამი ჯვარი. ვახუშტი მას ნაძვის ხედ მოიხსენიებს, „მსგავსი ალვისა სურნელისა“, თუ რა საფუძველზე არაა ცნობილი. მაგრამ აშკარაა, რომ ხე ფოთლოვანია, ისიც აშკარაა, რომ მარადმწვანე. „მოქცევაჲ ქართლისაჲც“ ფოთლოვან ხეს ასახელებს და არა წიწვოვანს. ალვის ხესთან შედარება უფრო მიუთითებს მის ღვთაებრიობას და მშვენიერებას. „სიცოცხლის ხის“ სიმბოლო „ალვის ხე“, ქართულ ფოლკლორში შეესაბამება მარადმწვანე პირამიდული კვიპაროსის ხეს, რომელსაც დიალექტებში „მირონის ხე“, „გუნდის ხე“ (შდრ. მეგრულად „გუნდაში ჯა“) და „ხეთუფალა“ ეწოდება. სულხან საბა ორბელიანი მას მოიხსენიებს – კჯპაროზი და კჯპრი - „იგივე ალვის ხე, სარო. ბერძულად სარო ჰქვიან, ვიეთნი ალვის ხეს უჴმობენ. მკვლევრის განმარტებით, ალვა არის სუნნელი, საკმეველი. ანუ „ალვის ხე“ სურნელოვან ხეს ნიშნავს, რომელსაც ხის ფისი სდის და მას საკმევლად იყენებენ. ზემოაღნიშნული ფოთლოვანი, და სურნელოვანი ხის პარალელურად, „მოქცევაი ქართლისაიში ნაძვის ხეც იხსენიება: „მახლობელ არს ადგილი იგი (სიდონიას საფლავი და უფლის კვართი) ნაძუსა მას ლიბანით მოღებულსა და მცსეთას აღმალებულსა“ (მოქც 130). სვეტიცხოვლის მშენებლობის დროს „მოჰკუეთეს ნაძჳ იგი და შეამზადეს სუეტად“. მოქცევაის ჭელიშური რედაქცია ხე, რომელიც მოიჭრა კლდოვან ბორცვზე, „კილამორ“ სახელით მოიხსენიებს. მსგავსი ხე მდგარა ებრაელთა სალოცავ-ბაგინზე, რომელიც ასევე მოჭრეს („დასცეს ხეი იგი კილამოი“) და წმ. ნინომ მისგან ჯვარი აღმართა. სულხან საბა ორბელიანის განმარტებით, „კილამონი“ – მირონის სულნელია, ასევე „კალამოკრი“ – მირონის სულნელია ლერწამი. სავარაუდოთ, სურნელოვანი თვისებიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნული მოჭრილი ხე უნდა ყოფილიყო ე.წ. „საკმევლის ხე“, ანუ ე.წ. კევის ხე (pistacia mutica), საღსაღაჯი რომელსაც კახურ დიალექტზე „საკმლის ხე“ და „მარიამსაკმელა“ ჰქვია. იგი ზაფხულმწვანე ხეა, ხშირტოტებიანი და გაშლილვარჯიანი, 2-15 მეტრამდე, ხარობს მშრალ, თიხნარ, კლდოვან ადგილებში და უძლებს ყინვას. ძირითადად შემორჩენილია ვაშლოვანის ნაკრძალში მისი მერქანი ძალიან მაგარია და ძვირფასი, შეიცავს ეთერზეთებს, ფისი გამოიყენება საკმევლად. ხის დასერილი ქერქისგან გამოაქვთ გუმფისი. მის ნაყოფს ეტანება როგორც შინაური, ასევე გარეულ ცხოველებიც. საკმლის ხის კორომი ზოგჯერ შერეულია ისეთ სახეობებთან, როგორიც არის აკაკი, ჯაგრცხილა, მუხა, თელა, ქართული ნეკერჩხალი, ღვია.წმ. ნინოს ჯვრის ნიში გამოუკვეთია მაგარმერქნიან ჯიშის აკაკის ხისგან, რომელსაც ქართულ წყაროებში „ბრინჯის ხე“ ეწოდება. იგი ბარტამ მეფის საჩრდილობელი ყოფილა, ხე „მაღალი და რტო მრავალი“ . კავკასიურ აკაკის ხეს (Geltis caucasica Wild) „ხერკინის“ სახელწოდების ქვეშ მოიაზრებენ (ასევე, ლეკის ხე, ურთხელი, ძელქვა, ჩათლაყუჩი/ბელეკონი/კალანოსი). მას მაგარი მერქანი აქვს და ქერქი შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს. არ არის გამორიცხული, რომ ტოპონიმი „რკინის ჯვარი“, სწორედ ხერკინად წოდებული რომელიმე მაგარმერქნიანი ხისგან გამოკვეთილ ჯვარს გულისხმობდეს, რომელიც ანდრია პირველწოდებულმა აღმართა.

13. ქართულ წყაროებში ზემოაღნიშნული კერპი მოიხსენიება „გა/გაიმ/გაცა/გაცაჲ“-ს ფორმით, იგი არის ვერცხლის კერპი. სვანურად ქალღმერთ ლამარიას სამსხვერპლო ვერძს, ანუ ვაცს „გიცარ“ ერქვა. იგი შემდგომ ადამიანის სახელად ქცეულა. „სვანეთის საეკლესიო კრების მატიანეში“ მოიხსენიება „გიცარი“ და „გიცარიანი“. ამ კერპს უკავშირდებოდა „მცენარენი და ნაყოფიერებანი“. ნ. მარმა იგი ბიბლიის ტექსტში მოხსენიებულ ასტერტეს შესატყვისად მიიჩნია, მ. წერეთელმა იშთარის მსგავს ძველ ქართულ ღვთაებად მიიჩნია, გ. ქავთარაძე გაცი და გაიმის სახელის ქვეშ ტყუპ ღვთაებებს აპოლონსა და არტემიდეს გულისხმობს, ნ. ნიკოლოზიშვილი კი კიბელა - ატისის მსგავს ღვთაებებს. ჩვენი აზრით, გაცის და გას-თან

მიმართებაში კავშირი უნდა ჰქონდეთ ლეზგიურ „გუცარს“, რომელიც ლეზგიურ მითოლოგიაში მოსავლის ღმერთია, მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის მფარველი, ზოგან იგი განმარტებულია, როგორც ტაროსის ღვთაება და ლაკების მითოლოგიიდან მცენარეული სამყაროს მფარველი ღვთაება გუმი, რომლის სახე იყო მცენარის ფესვი. გა მიწის ნაყოფიერების დიდი ქალღმერთია პროტოქართულ სივრცეში ჩამოყალიბებული, რასაც ქართულ-ქართველური ლინგვისტური და ფოლკორული მონაცემები ადასტურებენ. „გა“, „გი“, „გამ“, „გიმ“, „გემ“ („გუემ“) ძირით ძველ ქართულ და ქართველურ ენებში აღინიშნება მიწა და მასთან დაკავშირებული, მისგან აღმოცენებული საგანთა სახელწოდებები. „ქართლის ცხოვრების“ ანასეულ ნუსხაში ერთგან გაიმის კერპი მოიხსენიება „გიმ“ ფორმით, რომელიც პირდაპირ ეხმიანება მიწის სვანურ სახელწოდება „გიმს“. მეგრულად „გიმე“ ნიშნავს „ქვევით“, რაც ასევე მიწისკენ, წიაღისკენ მიმართულებას გულისხმობს. „გიმს“ უკავშირდება მჟავე წყლის სვანური სახელწოდება „ზგიმ“, რომელიც მიწის წიაღიდან ამოსულ წყალს ნიშნავს. „გიმ“ მეგრულად ეწოდება ასევე, ჭაში დამაგრებულ თიხის ფილას, მიწა რომ არ ჩაყრილიყო. ასევე, ძველ ქართულად „გჳმი“, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, არის „ჯურღმულის თორნე წყალთათვის, ანუ თორნე ჭის წყლისა“. საინტერესოა აგრეთვე, ძველი ქართული სიტყვა „გამანაგი“, რომელიც სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ერთი დღის ნახნავს ნიშნავს. ასევე, ყურადღებას იპყრობს სვანური სიტყვა „ლაგამ“, რომელიც ერქვა მიწაში ხვრელს, სადაც ლამარიას სახელზე გამომცხვარი მიწაში შესანახი კვერის „ლეშხვნის“ შენახვა ხდებოდა (შდრ. „გიმი ლიმზირ“/მიწის ლოცვა, „ალაგი ლიხელეს“ დროს სეფისკვერების დაფვლა კერის წინ და მიწის სალოცავები სვანეთში). ამასთან დაკავშირებით ძალზედ საინტერესოა ხეთური სიტყვა Gam, Gam-an, Gam-anta, რაც ნიშნავს ქვევით, ქვევითკენ, დაღმა. თუ გავითვალისწინებთ მკვლევართა მიერ არაერთ მეცნიერულად დასაბუთებულ კონცეფციას ქართველური ენების ნათესაურ კავშირთან დაკავშირებით ხათურ ენასთან, შესაძლებელია გამოვთქვათ მოსაზრება, რომ სვანური „ლა-გამ“ და ხეთური „გამ“ მიწისკენ, მიწის წიაღისკენ მნიშვნელობასთან მიმართებაში ქართულ/ქართველური ენებიდან იგივე მნიშვნელობით, ხათური ენის მეშვეობით გავრცელდა ხეთურში. ამ სიტყვის მნიშვნელობა კი რელიგიური და საკრალური გაგებით მხოლოდ ქართულმა და სვანურმა შემოინახა. სვანურად, მიწიდან აღმოცენებულ მარცვლეულის (შდრ. „მეგემ“-მცენარე) შესანახ ნაგებობას „გუემ/გემ“ ეწოდება, სადაც სპეციალურ კიდობანში „ლამარიაში ტაბლაში“ იყო შენახული. ეს გახლდათ საუკეთესო ხარისხის ხორბლის ფქვილი, რომელსაც ახალი წლისა და ზამთრის დღეობებისთვის იყენებდნენ. „მოქცევაი ქართლისაის მიხედვით კერპებს თავზე აყრიდნენ შეწირული მსხვერპლის (შეიწირვოდა მათა ერთი სეფეწული ცეცხლითა დაწუვად“) ნაცარს, რაც ნაცრით, როგორც მნიშვნელოვანი სასუქით მიწის განოყიერების მისტერიაა. სვანური ფოლკლორიდან გა/გაიმს უკავშირდება სვანური საკულტო სიმღერა „გა“, რომელიც ჩაწერილია სოფელ ეცერში. გა-ს საგალობლით ღვთაებას მიწის სიუხვეს და ქალის დაშვილიანებას ევედრებოდნენ, რაც ორივე მხრივ, ნაყოფიერებას უკავშირდება. „გა“-ს საგალობელი საღმრთო-საკულტო სიმღერად, ანუ ჰიმნად მიიჩნევა. იმავე ჰიმნს ასრულებდნენ ოჯახში სარძლოს მოყვანისას. გა-ს საგალობელს აღდგომის კვირაში ასრულებდნენ. „გა“-სთან დაკავშირებული რიტუალები სამწუხაროდ სვანურ ფოლკლორშიც აღარ არის შემორჩენილი. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ იგი ფუნქციურად მიწის ნაყოფიერების მფარველ რომელიმე ქალღმერთს შეერწყა. სვანურ დღეობათა კალენდარში მიწასა და ნაყოფიერებასთან დაკავშირებული რიტუალები უკავშირდებოდა ქალღმერთ „ლამარიას“. მიწის ბარაქიანობას და მოსავლის სიუხვეს აღმოსავლეთ საქართველოში ადგილის დედას ევედრებოდნენ. ქრისტიანობის მიღების შემდეგ კულტი ღვთისმშობელს შეერწყა, რასაც ადასტურებს ხევსურული ფორმა „ადგილის ხთიშობელი“. ქართულ ხალხურ ფოლკლორში „გა/გაიმის“ გამოძახილი ჩანს მზეთუნახავ „ქალ-გამას“ სახელწოდებაში. იგი ამირანის მითის ქართლური ვერსიის

მიხედვით, ამირანის სატრფოს სახელწოდებაა.

14. მოხსენებაში განხილულია საქართველოს მთავარი მდინარეების ეტიმოლოგიური კვლევა, რაც ქართული ენის დიალექტური მონაცემებით იხსნება. ჰიდრონიმები გეოგრაფიულ სახელწოდებათა ყველაზე ძველი და მყარი ფორმებია. ისინი უფრო ცხადყოფენ ამა თუ იმ ერის ძველი ენის გავრცელების არეალს და მის უძველეს საცხოვრისს, რადგან წყლის აღმნიშვნელი გეოგრაფიული სახელწოდებანი წარმოიშვება სწორედ იმ ენაზე, რომელზეც საუბრობს მის ტერიტორიაზე განსახლებული საზოგადოება. ჩვენ მიერ განხილული მდინარეთა სახელწოდებებია: მტკვარი, ჭოროხი, ლიახვი, ალაზანი. ყველა ამ მდინარის სახელწოდება ეტიმოლოგიურად აიხსნება უძველესი ქართული ლექსიკიდან, რომელთა მნიშვნელობები დიალექტებში შემოგვრჩა. ისინი დაკავშირებულია წყალუხვობასთან, დიდ წყალთან და მასთან დაკავშირებულ მოვლენებთან. მაგ.: მტკვრის/მტკუარის ფუძე „კურ“ უნდა უკავშირდებოდეს სარდურ II წარწერაში მოხსენიებულ „კურიანას ქვეყანას“, რომელიც მტკვრის სათავეებსაც მოიცავდა და შესაძლოა მდინარესაც მისი სახელი დარქმეოდა. „კურ“ სიტყვა მთიულურ და გუდამაყრულ დიალექტზე მოვარდნილ ნიაღვარს ნიშნავს. ასევე, ქართული ენის დიალექტებში „კურ/ქურ“ ძირით („კურნე“, „ქურუნი“, კურცხლ/კურწყალი) გვხვდება წყლის რეზერვუართან დაკავშირებული სახელწოდებები. ქართლურ დიალექტზე ჭოროხი არის იგივე რიყე, ჭერეხი, ადიდებული მდინარის, ან ნიაღვრის მიერ „მოტანილი ნარიყი, ქვიშა, ღორღი და ლამი“. დიდ წყალს ქართლურ დიალექტზე უკავშირდება ასევე, „არაზანი“, რომელიც „თავსხმა წვიმას“ ნიშნავს, მთიულურ და ფშავურ დიალექტებზეც „არზანი“ „დიდ წვიმას“ ნიშნავს ელჭექითა და ქარიშხლით. მოცემულ შემთხვევაში რ-ს ლ-ში გადასვლა (არაზანი-ალაზანი) ჩვეულებრივი მოვლენაა. ლეჩხუმერ დიალექტზე „ლიაღვი“ (შდრ. ლიახვი) ადიდებულ, ამღვრეულ მდინარეს ნიშნავს, ასევე რაჭულ დიალექტზე „ალიახვება“ მდინარის ადიდებას და ამღვრევას ნიშნავს.

15. მოხსენებაში გაანალიზებული იყო საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლების მოღვაწეობა საერთაშორისო ცნობისათვი, იმდროინდელი პრესის მონაცემების მიხედვით.

16. მოხსენებაში შესწავლილია იაპონელი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწის აკაშის ბიოგრაფიისა და ქართულ პატრიოტულ მოძრაობასთან ურთიერთობის დამატებითი მასალები.

17. შესწავლილია ჟურნალ ”ცისკრის” გარშემო შემოკრებილი მოღვაწეების საზოგადოებრივი და პოლიტიკური მსოფლმხედველობა და პოზიცია.

18. მოხსენებაში განხილული იყო, თურქეთის რესპუბლიკაში ბარდუსის ციხის (თანამედროვე გაზილერი) შესახებ, მისი ისტორია, მნიშვნელობა და თანამედროვე მდგომარეობა.

19. ეს ანტიცარისტული აჯანყება მეტ-ნაკლებად შესწავლილია, როგორც ქართული, ისე რუსულ ისტორიოგრაფიაში. თუმცა მრავალ საკითხთან დაკავშირებით არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. შესაბამისად, შეგვიძლია გამოვყოთ 4 ეტაპი: 1. რუსეთის იმპერიის პერიოდი (დუბროვინი, ბერჟე, არქეოგრაფიული კომისიის აქტების I და II ტტ.); 2. ცარიზმის პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია (დავით ბაგრატიონი, ალექსანდრე ფრონელი, ივ. ჯავახიშვილი); 3. ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია (გიორგი ხაჭაპურიძე, ვარ. ტოგონიძე, ნ. ბერძენიშვილი, ა. სურგულაძე); 4. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია (ი. მჭედლიშვილი, ა. ბენდიანიშვილი, ე. ორჯონიკიძე). აჯანყების და მისი წარმმართველი ძალის შეფასებისას რუსი ისტორიკოსების მიერ დამკვიდრებულ შეხედულებას, რომ მთიელი გლეხების მიერ დაწყებულ სტიქიურ გამოსვლას მხოლოდ სოციალური ხასიათი ჰქონდა, აგრძელებენ საბჭოთა პერიოდის ისტორიკოსები და ამ გამოსვლას განიხილავენ სოციალურ მოძრაობად. თუმცა რუსული წყაროებიც (აქტები...) გამოქვეყნებულ დოკუმენტებში გვერდს ვერ უვლიან იმ ორგანიზებას, რაც ახასიათებდა აჯანყებას და იმ ფაქტსაც, რომ მის მეთაურებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ბატონიშვილებთან (ალექსანდრე, იულონი, ფარნაოზი). სასამართლოზე გაყვანილ 260 ბრალდებულთაგან უმეტესობა

მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლები და ადგილობრივი ლიდერები (ხევისბერები, სადროშოთა ასისთავები) არიან. რუსი ისტორიკოსები მიზანმიმართულად აკნინებენ ბაგრატიონთა როლს ამ აჯანყებაში და მათ მხოლოდ უკვე დაწყებულ პროცესთან მიერთებულებად წარმოაჩენენ. ბაგრატიონთა როლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია მოახდინა ნიკო ბერძენიშვილმა, თუმცა საქართველოს ისტორიის ნარკვევები კვლავ ძველ ტენდენციას დაუბრუნდა. უახლესი გამოკვლევები არ არის სიღრმისეული და მხოლოდ აჯანყების ზოგადი აღწერით შემოიფარგლება. პირველი ისტორიკოსი, რომელიც შეეხო აჯანყების პოლიტიკურ ასპექტს იყო დავით ბატონიშვილი (მხოლოდ 1 გვ. წიგნში), ხოლო ალექსანდრე ფრონელი საფუძვლიანი გამოკვლევით.

აჯანყების გეოგრაფიული არეალის განსაზღვრისას უნდა ავღნიშნოთ 2 პოზიცია. ტრადიციულად იხსენიება მთიულეთის აჯანყებად. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ არა მხოლოდ მთიულეთში (ხანდო, თრუსო, ჭართალი, ხევი, ერწო, თიანეთი...) იყო აჯანყება, არამედ სხვა ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციებსაც მოიცავდა, ამდენად უფრო მართებულია მას ეწოდოს აღმ. საქართველოს მთიანეთის აჯანყება. ეს ტერმინი პირველად შემოიტანა ვარ. ტოგონიძემ და მიიღეს ნ. ბერძენიშვილმა და ა. სურგულაძემ.

20. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის პროექტმა „ტაო-კლარჯეთის ქართული ციხე-სიმაგრეები“ მოიპოვა რუსთაველის ფონდის გრანტი. 2014 წელს განხორციელდა 2 ექსპედიცია: კოლა-არტაანი-ერუშეთი-ჩილდირი-ფოცხოვის პროვინციებში (ამჟამინდელი თურქეთის რესპუბლიკის არდაჰანის ვილაიეთი) და ტაოში (ამჟამინდელი თურქეთის რესპუბლიკის ოლთისის, ოლურის, შენკაიას, ნარმანის რაიონები). ექსპედიციების შედეგად მომზადდა 60-მდე საფორტიფიკაციო ნაგებობის (ციხე-ქალაქი, ციხე, კოშკი) არქიტექტურული გეგმა, პანორამული ფოტო და რეკონსტრუქცია, ისტორიული აღწერილობა.წინამდებარე სტატია შეეხება ტაოს რეგიონის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრს, ციხე-ქალაქ ოლთისს. ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით გამოთქმულია ვარაუდი, რომ ციხე-ქალაქი ოლთისი დაარსებულია X ს-ის მეორე ნახევარში ტაოს მეფის დავით III კურაპალატის (966-1001) მიერ. ოლთისი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა 1019-1021, 1124-1130 და 1170-1246 წლებში; ბიზანტიის მმართველობას ემორჩილებოდა 1001-1019, 1021-1076 წლებში; თურქ-სელჩუკები აქ ბატონობდნენ 1076-1124 და XII ს. 30-60-იან წლებში. 1246 წლიდან ოლთისს სამცხის სამთავროს მმართველი ჯაყელები აკონტროლებდნენ. XVI ს. 30-იან წწ-ში ჯაყელთა დინასტიაში არსებული დაპირისპირებით ისარგებლა ოსმალეთმა და 1548 წლიდან ოლთისი დაიკავა. ოლთისი ისევ რჩებოდა სამცხის ათაბაგის რეზიდენციად. ამასიის ზავის (1555) შემდგომ ოლთისის სანჯაყი ოსმალეთის იმპერიის არზრუმის ვილაიეთის შემადგენლობაშია. 1579 წლიდან ოლთისის სანჯაყი ჩილდირის (ახალციხის) ვილაიეთის შემადგენლობაშია. 1871 წელს, ოლთისი არდაგანსა და არტანუჯთან ერთად არზრუმის ვილაიეთის შემადგენლობაში შევიდა. 1878-1917 წლებში ქ. ოლთისი რუსეთის იმპერიის კავკასიის მხარის ყარსის ოლქის ოლთისის ოკრუგის ადმინისტრაციული ცენტრია. 1921 წლიდან კი თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაშია.

21. 2015 წელს ფართოდ აღინიშნა აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან 100 და დაბადებიდან 175 წელი. სამეცნიერო საზოგადოების ინტერესი აკაკი წერეთლის შემოქმედების სხვადასხვა ასპექტს შეეხო. არანაკლებ მნიშვნელოვანია აკაკი წერეთლის პოლიტიკური შეხედულებები და პოლიტიკური მსოფლმხედველობა, რაც ნაკლებად იყო შესწავლის საგანი და მისი პიროვნების არაორდინალურობის გამო რთულად საკვლევიც. ერთი მხრივ მისი ადრეული ნაწერები, ლექსები და პუბლიცისტური მემკვიდრეობა მგოსანს წარმოაჩენს მემარცხენე შეხედულებების, სოციალური და გენდერული თანასწორობის აქტიურ მხარდამჭერად. მეორეს მხრივ, საქართველოს თავისუფლების და პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნა, რაც

ქართველ მემარცხენეთა ფლაგმანის – სოციალ-დემოკრატებისთვის მიუღებელი იყო, აკაკის აიძულებდა მათგან გამიჯვნას. აკაკი წერეთლის პოლიტიკური მიმართულების განსაზღვრას პირველად შეეცადა კიტა აბაშიძე. მან აკაკი „მეორე დასის“ ლიდერად გამოაცხადა. ამ შეფასებამ აკაკის გაღიზიანება გამოიწვია. მან კატეგორიულად უარყო ეს თვალსაზრისი: „მე ჩემ დღეში არათუ მეთაური, უბრალო წევრიც არა ვყოფილვარ რომელიმე დასისა, მით უფრო რომ ეს დასები ჯერჯერობით არც კი შემინიშნავს და, მაშ, მეთაურობას როგორღა გავუწევდი ან ერთსა და ან მეორეს?... მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით შეერთებული შრომა ჩვენში მოუხერხებელია!..“ თავად აკაკი წერეთელი ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობას სამ თაობად წარმოადგენდა. სამოციანელებს იგი პირველ „ახალ თაობას“ უწოდებდა და მის წარმომადგენლებს შორის არსებული აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად ერთ მთლიანობად აღიქვამდა. მეორე ტალღად აკაკი მიიჩნევდა „ხალხოსნებს“, მათ მეორე „ახალთაობას“ უწოდებდა და მის წარმომადგენლებად ასახელებდა: ალ. ყაზბეგს, ეგნატე ნინოშვილს, დუტუ მეგრელს, თედო რაზიკაშვილს, ანასტასია ერისთავს... მესამე „ახალთაობად“ აკაკი მიიჩნევდა სოციალ-დემოკრატიული (მარქსისტული) იდეოლოგიის მიმდევრებს, რომლებიც 90-იან წლებში გამოვიდნენ პოლიტიკურ ასპარეზზე. საბჭოთა პერიოდში ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში აკაკი წერეთლის ადგილი სხვადასხვაგვარად იყო განსაზღვრული. საბჭოთა კლასიფიკაციით „პირველი დასი“ ძირითადად ლიბერალური თავად-აზნაურობით იყო წარმოდგენილი. „მეორე დასი“ კაპიტალისტურ განვითარებას მიიჩნევდა მომავალი პროგრესის წინაპირობად. 1940 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში გიორგი ხაჭაპურიძე აკაკი წერეთელს „მეორე დასის“ წევრად მიიჩნევდა. ამის საფუძველს, როგორც ჩანს აკაკის გაზეთ „დროებასთან“ თანამშრომლობა აძლევდა. საბჭოთა პერიოდში ლიტერატურის ისტორიის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ისტორიის მკვლევარებს ოფიციალური იდეოლოგიის მოთხოვნების შესრულება უწევდათ, რაც აისახა აკაკი წერეთლის პოლიტიკური შეხედულებების შეფასებაში. საბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფია აკაკის აცხადებდა რევოლუციურ-დემოკრატად და ხშირად მიაწერდა ისეთ იდეებს, რაც მას არ ეკუთვნოდა. მოგვიანებით კი, XX ს. 70-იან წლებში გამოცემულ „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“ აკაკი წერეთელი გამოცხადებულია ჰუმანისტურ-დემოკრატიული „პირველი დასის“ მიმდინარეობის წარმომადგენლად. ეს თვალსაზრისი არაპირდაპირ მეორდება ბოლო დროის საუნივერსიტეტო და სასკოლო სახელმძღვანელოებშიც, სადაც „პირველ დასის“ რიგებში ილიას თანამებრძოლად არის გამოცხადებული აკაკიც. საბჭოთა პერიოდში ილიას და აკაკის ურთიერთდამოკიდებულების ანალიზი იფარებოდა წინასწარ დაგეგმილი შტამპებით. მაგალითად, დავით გამეზარდაშვილი წერს: „უნდოდათ ილია და აკაკი ერთმანეთთან დაეპირისპირებინათ. მაგრამ ამაოდ... ბოროტი ენების წყალობით აკაკი, მართალია, „ცისკარში“ დარჩა, მაგრამ იგი აქ კვლავ ილიას დაწყებულ საქმეს ემსახურებოდა. მათ შორის პრინციპული უთანხმოების ჩამოგდება შეუძლებელი იყო, მათი გულები საერთო ინტერესით ძგერდა“. რეალურად აკაკის შეხედულებები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ილიას შეხედულებებისგან. ეს განსხვავება განსაკუთრებით საგრძნობია საბანკო საკითხზე, პოლიტიკურ (ილია იყო მემარჯვენე მიმართულების, აკაკი უფრო მემარცხენე) და სოციალურ თემებზე კამათისას. მათი აზრები მუდამ ერთიანია მხოლოდ განათლების გავრცელება-ხელმისაწვდომობის და ქალთა უფლებების საკითხებთან დაკავშირებით. XIX ს-ის მეორე ნახევარში საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსული ახალი თაობა, რომელთაც სამოციანელები (თერგდალეულები) უწოდეს, 3 ძირითადი პრობლემის გადაჭრას ისახავდა მიზნად: 1. სწრაფვა დამოუკიდებლობისკენ და სოციალურ ფენებს შორის ეროვნული ერთიანობის მიღწევა; 2. ლიბერალური და დემოკრატიული ღირებულებების (ადამიანთა თანასწორობა, საყოველთაო განათლება, საარჩევნო სისტემა...) დამკვიდრება; 3. ეკონომიკური ურთიერთობების აგება კერძო საკუთრების პრინციპებზე. ახალი თაობის ძველ თაობასთან დაპირისპირება დაიწყო 60-იანი

წლების სოციალური რეფორმების დროს. ეს იყო ბატონყმობის გაუქმება (1864/1865 წწ.), შემდეგ კი ტფილისში უნივერსიტეტის დაარსების საკითხი (1871 წ.). ქალთა საკითხს დიდი ადგილი ეკავა აკაკის პუბლიცისტიკაში. საინტერესოა, რომ მისი პირველი სტატია „ლოტოთი ლოთობა ქუთაისში“ („ცისკარი“, 1858 წ.) სწორედ ქალთა საზოგადოებრივ აქტიურობას ეხებოდა. აკაკის აზრით, რამდენადაც მაღალია ქალის სოციალური სტატუსი საზოგადოებაში, იმდენად განვითარებულია ეს საზოგადოება. ეკონომიკაში აკაკი წერეთელი იყო მერკანტილიზმის თეორიის მიმდევარი. მისი ეს პოზიცია ნათლად გამოჩნდა ჭიათურის მანგანუმის წარმოებასთან დაკავშირებით. აკაკი მიიჩნევდა, რომ ადგილობრივ მოსახლეობას მიწები არ უნდა მიეყიდა ან დაეგირავებინა იაფად უცხოელ მრეწველებზე. საბოლოოდ მართლაც ამგვარად მოეწყო მანგანუმის წარმოება. აკაკი აგრეთვე წინააღმდეგი იყო ქუთაისში სათავადაზნაურო ბანკის დაარსებისა. 1886 წელს წერდა, რომ ბანკი დაღუპავდა თავად-აზნაურობას და დააკარგვინებდა მათ მიწებს. აკაკის აზრით უმჯობესი იქნებოდა არისტოკრატიას ფული კომერციულ ან სხვა საწარმოში ჩაედო. ამ საკითხზე მას კამათი ჰქონდა ილიასთან. ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წრეებთან აკაკის თანამშრომლობის ქრონოლოგია შემდეგია. თავდაპირველად ის თანამშრომლობდა ივანე კერესელიძის „ცისკართან“, რომელიც შემდგომ ძველი თაობის ორგანოდ იყო მიჩნეული, თუმცა აკაკის თანამშრომლობა არც მერე შეუწყვეტია. 1870 წლიდან აკაკი დაუახლოვდა „დროების“ ჯგუფს ანუ „მეორე დასს“. 1885 წელს „დროების“ დახურვის და „ივერიის“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთების შემდეგ აკაკიმ ილიას თხოვნით თანამშრომლობა დაიწყო „ივერიასთან“. პარალელურად, 1882 წელს აკაკი ცდილობდა საკუთარი გაზეთ „გზის“ გამოცემას, თუმცა საცენზურო კომიტეტმა უარი უთხრა.

1893 წელს დაარსდა „კვალი“, გიორგი წერეთლის, ივანე მაჩაბლის და აკაკის რედაქტორობით. აკაკი კიდევ უფრო დაუახლოვდა მემარცხენეთა პოლიტიკურ ბანაკს. თუმცა არაერთგვაროვანი იყო აკაკი წერეთლის დამოკიდებულება მემარცხენე იდეოლოგიასთან. აკაკი იცავდა მუშათა უფლებებს, მაგრამ აკრიტიკებდა მესამედასელების „წარსულის უარყოფას, კლასობრივი ბრძოლისკენ მოწოდებას, მატერიალიზმს. აკაკი აღტაცებით შეხვდა 1905 წლის რევოლუციას და დიდი სოციალური თავისუფლების მოპოვების იმედს ამყარებდა მასზე. აკაკიმ გაამართლა რევოლუციური სისხლის ღვრაც და ეს ბუნების კანონად მიიჩნია. თუმცა ამ აღტაცებამ მალე გაუარა, როდესაც რეალური სურათი დაინახა. აკაკი წერეთლის აქტიურ პოლიტიკაში ჩართვის ერთადერთი შემთხვევაა 1912 წელს რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები. მისი ავტორიტეტი გამოიყენეს სოციალ-დემოკრატებმა და შესთავაზეს აკაკი წერეთელს კენჭისყრა ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრაში. აკაკი წერეთელი შეთავაზების მიუხედავად უარს ამბობდა ყოველგვარ თანამდებობაზე. 1889 წელს მან უარი თქვა ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის დირექტორობაზე. მისი აზრით საზოგადოებრივი საქმიანობა ხელს შეუშლიდა მის შემოქმედებით საქმიანობას. ორი საქმის ერთდროულად ხარისხიანად კეთება კი მას შეუძლებლად მიაჩნდა. ჩემი აზრით, აკაკი იყო იდეალისტი. ის ეძებდა იდეალურ პოლიტიკურ პლატფორმას, რაც მას იძულებულს ხდიდა სხვადასხვა პერიოდში ეთანამშრომლა ყველა პოლიტიკურ მიმართულებასთან და იმავდროულად ყოველთვის მარტო, განცალკევებულად მდგომი დარჩენილიყო. ის იყო ყველაზე ავტორიტეტული ქართველი თანამედროვეთა შორის და ერთნაირად პოპულარული ყველა სოციალურ ფენაში, ნამდვილი სახალხო ლიდერი. მის სიტყვას, პოეტურ თუ პუბლიცისტურ ნაწერს დიდ წონა ჰქონდა. ამდენად, ვფიქრობთ მცდარია აკაკი წერეთლის მიკუთვნება XIX-XX სს-ის რომელიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობისადმი. მისი პოლიტიკური მსოფლმხედველობა მრავალი მიმართულების ანარეკლია.

22. V-XVIII სს-ის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების მონაცემების მიხედვით განხილულია ფეოდალურ საქართველოში მიმდინარე ისტორიული პროცესები და კულტურული ვითარება, დასაბუთებულია მხარის კუთვნილება ქართული

სახელმწიფოსადმი და ეკლესიისადმი.
23. მიმოხილულია ლორე-ტაშირის ეპიგრაფიკული ძეგლები ძირითადად ყურადღება გამახვილებულია 2013 წლის ექსპედიციის შედეგად მიკვლეულ უცნობ წარწერებზე: 1) ქობაირი – პავლე საღირის-ძის ეპიტაფია (XIII ს.); 2) ახტალა, ადგილი „სვინეც“ – წარწერის ფრაგმენტი (XV ს.) და სხვ.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	თედო დუნდუა და სხვ.	Coin Issues in Georgia (General Survey – Presentation of Online English-Georgian Catalogue of Georgian Numismatics)	International Conference Dedicated to the Memory of Numismatist Prof. Kh. Musheghian June 3-5, Yerevan Institute of History, Academy of Sciences of Armenia
2	თედო დუნდუა, ლერი თავაძე	Georgian Coins with Byzantine Iconography: Byzantine Imperial Titulature and Political Influence in Georgia as Seen from the Numismatic Evidence	Medieval Association of the Pacific 49th Annual Conference, 10th April, The University of Nevada, Reno
3	თედო დუნდუა, ლერი თავაძე და სხვ.	Historical Research in the Republic of Georgia: the Importance of Numismatics in the Study of the Georgian Past (Presentation of Online English-Georgian Catalogue of Georgian Numismatics)	San Diego State University (SDSU), IT (Industrial Technology) 201, April 8th, co-sponsored by the SDSU Department of History and the San Diego chapter of the Archaeological Institute of America
4	ნიკო ჯავახიშვილი	Грузинские полководцы во II мировой войне	აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი II მსოფლიო ომის დასრულების 70 წლისთავისადმი, რომელიც გაიმართა 5 მაისს, ქ. ბაქოში, აზერბაიჯანის ისტორიის მუზეუმში.
5	ნიკო ჯავახიშვილი	У истоков грузино-польских взаимоотоношений (XV-XVII вв.)	ქ. ოლშტინის (პოლონეთი) ვარმია-მაზურის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული V ქართულ-პოლონური სამეცნიერო კონფე-

			რენცია, რომელიც გაიმართა 28 სექტემბრიდან – 2 ოქტომბრის ჩათვლით, თემაზე: „სამართლის ისტორიის წყაროები პოლონეთსა და საქართველოში“.
6	მარიამ ჩხარტიშვილი, სოფიო ქადაგიშვილი	David the Builder in Medieval and Modern Narratives.	International Medieval Congress, Leeds 6-9 July.
7	მარიამ ჩხარტიშვილი, ზურაბ თარგამაძე, სოფიო ქადაგიშვილი	National Dress as an expression of Authenticity in the Georgian Nationalistic Discourse..	International Conference Fashion Through History Costumes, Symbols, Communication Sapienza University of Rome, May, 20-21.
8	ბონდო კუპატაძე	“Guys from the Airplane” (The Soviet Myth and Reality)	International Conference in the Shadow of the Cold War. Domestic and International Terrorism in the Former Communist Countries (Poland), 8-9 October.

1. სპეციალისტთა საერთაშორისო აუდიტორიის წინაშე წარმოდგენილ იქნა ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი (http://geonumismatics.tsu.ge), სადაც საქართველოში მოჭრილი ყველა სამონეტო ჯგუფია გაერთიანებული.

2. განსახილველი პერიოდი (X-XII სს.) ძალზედ მნიშვნელოვანია ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობების კუთხით. ქართული ფული ბიზანტიური სტილით იჭრებოდა, ქართველი მეფეები მათზე საიმპერიო ტიტულებით იხსენიებოდნენ, რითაც ხაზს უსვამდნენ საქართველოს ინტეგრაციას მართლმადიდებელ სამყაროში.

3. პრეზენტაცია შეეხო ნუმიზმატიკის, როგორც დამხმარე საისტორიო დისციპლინის, მნიშვნელობას საქართველოს წარსულის კვლევის საქმეში. ამერიკული აუდიტორიის წინაშე წარმოდგენილ იქნა საქართველოს ისტორიის კვლევისთვის მნიშვნელოვანი რესურსი – ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი http://geonumismatics.tsu.ge/en/.

4. მოხსენებაში შესწავლილია მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ქართველი მხედართმთავრების დამსახურება და მათი ჯილდოები. დასაბუთებულია, რომ სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში მომსახურე ქართველმა მხედართმთავრებმა უდიდესი წვლილი შეიტანეს ფაშიზმის დამარცხებაში.

5. მოხსენებაში შესწავლილია თუ საიდან დაედო სათავე ქართულ-პოლონური ურთიერთობის ისტორიას. დადგენილია, რომ პოლონეთის მეფეს, იაგელონთა დინასტიის წარმომადგენელს იან I ოლბრახტს და მის უმცროს ძმას - ლიტვის მთავარ ალექსანდრეს 1495 წელს ეწვია ქართლის მეფის კონსტანტინე მეორის ელჩი და გადასცა თავისი მონარქის შეთავაზება ანტიოსმალურ კოალიციაში ჩაბმის შესახებ. ქართველ ელჩს მიჰქონდა კონსტანტინე მეორის წერილი ესპანეთის დედოფალთან იზაბელასთან, რომლის ტექსტიც შეიტანეს „ლიტვის მეტრიკაში“. ამავე მოხსენებაში შესწავლილია ქართულ-პოლონური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ მესამედში. ამ ურთიერთობის ინტენსიური ხასიათი

დოკუმენტურად დასტურდება როგორც საისტორიო წყაროებით, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე განძების სახით აღმოჩენილი ანალოგიურ პერიოდში მოჭრილი პოლონური მონეტებით.

6. ჩვენი მოხსენება ეძღვნებოდა დავით აღმაშენებელს და მის ეპოქას ანუ ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთ-ერთ ყველაზე კარგად შესწავლილ ეპოქას, მაგრამ ჩვენი მიდგომა იყო ახალი, კერძოდ, ჩვენ თავიდან ყურადღება გავამახვილეთ ისტორიული მეხსიერების ფენომენზე. ისტორიისა და კოლექტიური მეხსიერების ურთიმიმართება მრავალი მეცნიერის ყურადღებას იპყრობს მთელს მსოფლიოში. ამ საკითხს ეძღვნება არაერთი თეორიული გამოკვლევა. ეს ძიებანი ეფუძნება სხვადასხვა ისტორიულ გამოცდილებას და შედეგად გვაქვს ღრმა, როგორც კონკრეტული, ისე ზოგადი ხასიათის დასკვნები. ჩვენი მოხსენება წარმოადგენდა მცდელობას აღნიშნული საზოგადო პრობლემა გამოკვლეულ ყოფილიყო ქართული მაგალითის საფუძველზე. ამისათვის ჩვენ შევარჩიეთ მე-11 – მე-12 საუკუნეების საქართველო და მეფე დავით აღმაშენებელი. მეფე დავითი, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა იყო, როცა მან ჩაიბარა დასუსტებული ქვეყანა. გარდაცვალების მერე კი მან დატოვა ძლიერი სახელმწიფო, ფაქტობრივად, ქართული იმპერია. ქართული სამეფოს პოლიტიკურ აღმასვლას თან სდევდა კულტურული მიღწევები. ეს ტრანსფორმაცია შედეგი იყო იმ ინოვაციებისა, რომლის ინიცირება მოახდინა მეფე დავითმა სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში: სახელმწიფოს ადმინისტრაციული სტრუქტურა, სასამართლო, არმია, ეკლესია, განათლების სისტემა, საფინანსო სისტემა რეფორმირებულ იქნა. მოხსენებაში ჩვენ მხოლოდ მოკლედ წარმოვაჩინეთ ამ რეფორმების ფაქტობრივი ისტორია (რა მოხდა სინამდვილეში), ძირითადად, კი შევჩერდით იმაზე თუ როგორ დაილექა ეს ვითარება ქართველთა კოლექტიურ მეხსიერებაში. წყაროები, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია: გაანალიზდა არა მარტო საისტორიო მწერლობა, არამედ მხატვრული ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, მემუარები, სოციალური ქსელების მასალა და სხვ. კვლევამ აჩვენა, რომ შუა საუკუნეების ნარატივებში მეფე დავითი, როგორც პიროვნება, წარმოდგენილია სრულიად დადებითად ანუ ხატად; მაგრამ საინტერესო ისაა, რომ თანამედროვე ნარატივებიც არსებითად იგივეს გვთავაზობენ: ეროვნული გმირი დავით მეფე კვლავაც ხატად გაიაზრება, ხოლო მისი მოღვაწეობის ეპოქა კონცეპტუალიზდება, როგორც საქართველოს ისტორიის „ოქროს ხანა“. თუ რეალური დავით აღმაშენებელი ქართველი ერის ისტორიის ერთ კონკრეტულ მონაკვეთს უკავშირდება, კოლექტიური მახსოვრობაში გადასული დავით მეფე ყველა ეპოქაში თავისებურად, მაგრამ მაინც ყოველთვის ქართული იდენტობის ფუნდამენტური მარკერია.

7. ეს მოხსენება წაკითხულ იქნა საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა მიმდინარე წელს რომში, რომის ლა საპიენცას უნივერსიტეტში. ჩემი თანაავტორები არიან ჩემი ზემოთ დასახელებული დოქტორანტები. მოხსენება ეხება ტანისამოსის, როგორც იდენტობრივი მარკერის, ანალიზს. კონკრეტული მაგალითებით რეპრეზენტირებულია ამ კუთხით საქართველოს ისტორია, სპეციალური აქცენტი კეთდება მეცხრამეტე საუკუნეში ქართველთა ეროვნულ ნარატივში ტანისამოსის კონცეპტუალიზაციის საკითხს და იმ კონტექტს, რომელშიც უნდა გავიაზროთ იგი. ესაა კულტურულ-პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი, გამოყენებულია მრავალრიცხოვანი და ტიპობრივად მრავალფეროვანი წყაროები.

8. ეს ისტორია რეალურად იყო სოციალური ამბოხება კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ, რომლის მსხვერპლი თვითმფრინავის გამტაცებელთა გარდა უდანაშაულო ადამიანები აღმოჩნდნენ. საბჭოთა ეპოქაში ისინი ცალსახად „ტერორისტებად“ გამოცხადდნენ. ეს თვალსაზრისი გაბატონებული რჩება დღემდე ეპოქის და ვითარების კონტექსტის გაუთვალისწინებლად.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	მონეტა როგორც პროპაგანდის საშუალება (ქართული ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით)	პროფ. თედო დუნდუა	პროფ. თედო დუნდუა, ასოც. პროფ. აპოლონ თაბუაშვილი, ასისტ.-პროფ. ალექსანდრე ბოშიშვილი, ასისტ.-პროფ. ლერი თავაძე, დოქტორანტი აკაკი ჩიქობავა, დოქტორანტი ემილ ავდალიანი, საქართველოს ისტორიის მაგისტრი ქეთევან გველესიანი	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტი
პროექტის ფარგლებში წარმოდგენილია ის მონეტები, რომლებიც პროპაგანდისტული მიზნებითაც გამოიყენებოდა. აღნიშნული კუთხით შესწავლილია შემდეგი სამონეტო ჯგუფები თუ ტიპები: ტრაპეზუნტის სპილენძის საქალაქო მონეტები მითრას გამოსახულებით; ქართულ-სასანური დრაქმები; ქართულ-ბიზანტიური მონეტები; გიორგი III-ის მონეტები – მეფე შევარდენით ხელში				

IV. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	ქართველთა კოლექტიური მეხსიერების ხატები ეროვნული ისტორიის სახელმძღვანელოების მიხედვით. ისტორიის მიმართულება	მ. ჩხარტიშვილი	ნ. გოგრიჭიანი, ე. კაკავა, ე. მიქაძე, ნ. ტივაძე, ნ. ხარაიშვილი	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტი
პროექტის მიზანია ეროვნული სახელმძღვანელოების მიხედვით მოხდეს ქართველთა				

კოლექტიური მეხსიერების შეფასება. ამ კუთხით მნიშვნელოვანია ისტორიის სახელმძღვანელოები, რომლთა ანალიზი მრავალი საინტერესო და სადისკუსიო თემის განხილვის შესაძლებლობას იძლევა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ეთნოლოგიის

სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

2015 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში

თბილისი

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება – **ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი**
* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი – **როლანდ თოფჩიშვილი**
* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა **1. პროფესორი როლანდ თოფჩიშვილი, ასოცირებული პროფესორი ქეთევან ხუციშვილი, ასოცირებული პროფესორი როზეტა გუჯეჯიანი.**

I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

I. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1				

დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

I. 4.

2	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	რელიგიური პრაქტიკის ტრანსფორმაციის პროცესები საქართველოში	ქეთევან ხუციშვილი	ქ. ხუციშვილი, რ. გუჯეჯიანი, ნ. ღამბაშიძე, ქ. ალავრდაშვილი
2	ქართული ეთნიკური კულტურა კავკასიის ხალთა ეთნიკურ კულტურებთან მიმართებაში (ურთიერთშედარებითი ასპექტი).	როლანდ თოფჩიშვილი	როლანდ თოფჩიშვილი **ქართველთა და ჩრდილოკავკასიელთა ეთნიკური ურთიერთობის პრობლემები: ისტორია და თანამედროვეობა**
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

1.პროექტის ფარგლებში დამუშავდა ოთხი საკითხი: 1. საკონტაქტო ზონები: საკრალური სივრცე და საზღვრები “შინასა” და “გარეს” დაპირისპირების კონტექსტში (შემსრულებელი ქ. ალავერდაშვილი); 2. რელიგიური პრაქტიკის ტრანსფორმაციის პროცესები დალის მხარეში (კოდორის ხეობა, ზემო აფხაზეთი) (შემსრულებელი რ. გუჯეჯიანი); 3. რელიგიურობის ფორმები იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობაში (შემსრულებელი ქ. ხუციშვილი) და 4. ტრადიციული საკულტრო ობიექტები და საქართველოს მარლთმადიდებელი ეკლესია (საკითხის ისტორია)” (შემსრულებელი ნ. ღამბაშიძე). პროექტის შდეგად გამოტნილია შმდეგი დასკვნები:

*კულტურის კუთვნილი სივრციდან ბუნების, ქაოსის, აუთვისებელ სივრცეში გადასვლისას, "შინასა" და "გარეს" შორის საზღვრების გადალახვისას კულტურის ფარგლებში ყალიბდება სივრცეში ამგვარი გადასვლი ზონები სხვადასხვა დონეზე - სახლიდან, ოჯახიდან დაწყებული სახელმწიფოებამდე (ოჯახი და მისი კუთვნილი კარ-მიდამო, უბანი, სოფელი და ა.შ.). ამ სახის რწმენა-წარმოდგენები ყოველდღიურ

პრაქტიკაში თავს იჩენს სხვადასხვა შემთხვევებში. სივრცის ანალოგიურად ასევე არსებობს შესაბამისი საზღვრები დროშიც (მაგ. ასაკობრივ ჯგუფებს შორის ბავშვობიდან სიბერემდე, და სხვ.). ყოფაში "შინასა" და "გარეს" შორის საზღვრების გადალახვა ერთგვარად საფრთხეებთანა აასოცირებული და ამიტომ ამ ცნებებთნაა დაკავშირდებული მთელი რიგი რწმენა-წარმოდგენები და რიტუალები.

*საველე ეთნოგრაფიული კვლევის შედეგად გამოვლინდა დალის ხეობის მოსახლეობის წლიური რელიგიური კალენდარი, ამავე დროს, გამოიკვეთა რელიგიის გავლენა სამეურნეო საქმიანობაზე. გამოვლინდა, რომ მეურნეობის დაგეგმვა-მართვა რელიგიური წეს-ჩვეულებებით იყო გაჯერებული. თევზჭერის, მონადირეობის რეგულირება, ბუნებითსარგებლობის წესები ეკოლოგიურ ცოდნას ეფუძნებოდა და იცავდნენ ეკოლოგიურ ბალანსს. 2008 წლის აგვისტოს შემდეგ კოდორის ხეობიდან დევნილი მოსახლეობის დიდი ნაწილი თბილისსა და ქუთაისში არ ივიწყებენ ტრადიციებს, მათში დევნილობის დროსაც ცოცხალია ურთიერთდახმარების ფორმები. კომპაქტურად ჩასახლებულნი აღნიშნავენ გიორგობის დღეობას, ასრულებენ მირქმის და „ლამპრობის//ლიჩედურალის“ ტრადიციულ რიტუალებს.

*ცხინვალის რეგიონიდან და ახალგორიდან იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობაში ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ რელიგიურობის თვალსაზრისით დევნილ მოსახლეობაიც იგივე პროცესები მიმდინარეობს, რაც მთლიანად საქართველოში: შეინიშნება რელიგიურობის ზრდა ყველა პარამეტრით: ადამიანის რელიგიურ პრაქტიკაში ჩართვის ხარისხის (ანუ რიტუალური განზომილების), ექსპერიმენტალური, იდეოლოგიური, გარემოებითი და ინტელექტუალური პარამეტრებით, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. რელიგიურობის გამოხატვის ფორმებიდან აღწერილი და დადგენილია: ტრანსპარენტული ფორმები: ინდივიდუალურიც (ლოცვა, პირადი სალოცავი სივრცე, შეწირვა) და საზოგადოებრივიც
(ლოცვა, სალოცავებზე შესრულებული რიტუალები, ჯგუფური შესაწირავები). დდგენილია წარმოსახვითი საზოგადოებების კავშირი წარმოსახვით ადგილებთანაც, მათი კონსტრუირების მოთხოვნილება დადადგნილია რელიგიურობის გამოვლინების კორელაცია იდენტობასთან.

*XII საუკუნიდან, განსაკუთრებით XV, XVII, XVIII საუკუნეებში იკვეთება საეკლესიო წესებისა და ნორმების დარღვევასთან დაკავშირებული პრობლემები, რის აღმოფხვრასაც (ქადაგებით, სხვადასხვა სახის ჯარიმებით, ფიზიკური სასჯელის სახით) ისახავს მიზნად მოცემული საუკუნეების შესაბამისი საეკლესიო კრებები; ხალხურ ქრისტიანობასა და ოფიციალურ ეკლესიას შორის ვითარება გამწვავდა კავკასიაში და საქართველოში ქისტიანობის აღმდგენი კომისისიის მოღვაწეობის პერიოდში. სასულიერო პირები ხალხურ სარწმუნოებასთან დაკავშირებით ძირითადად ორ პოზიციაზე იდგნენ. ისინი, ვინც უპირობოდ ებრძოდა მას და ისინი, ვინც გარკვეულწილად აღიარებდა მას; 3) საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან იდეოლოგიისა და შესაბამისად ხელისუფლების მთავარ სამიზნედ ოფიციალური სარწმუნოება აღმოჩდა. ამგვარ პირობებში ხალხურ სარწმუნოებას მეტად მიეკრა წარმართობის იარლიყი. მისი შესწავლაც ამ კუთხით გახდა შესაძლებელი

2.ქართველებისა და ჩრდილოეთ კავკასიელების ეთნიკურ ურთიერთობას მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია გააჩნია. ეს ურთიერთობა ხან მშვიდობიანი იყო და ხანაც მტრული. ამავე დროს ხდებოდა ქართულ ეთნოსში ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების სხვადასხვა ჯგუფების მიგრაცია-შემოღწევა. იშვიათი არ იყო ქართველთა ჩრდილოეთით მიგრაცია. ამ თვალსაზრისით არაერთი ეთნოგრაფიული ფაქტია დადასტურებული.

№	შესრულებული პროექტის	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის

	დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით		შემსრულებლები
1			
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**როლანდ თოფჩიშვილი**	აფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ერთობების ეთნოგენეზის შესახებ.	თბილისი; „უნივერსალი“	100
2	**როლანდ თოფჩიშვილი Roland Topchishvili (წიგნი ორენოვანია)**	სვანეთი და სვანეთის მკვიდრნი: გვარები და ენოისტორიული ნარკვევი. Svaneti and Its Inhabitants (Famile Names and Etno-historical Studies).	თბილისი; „უნივერსალი“	268
3				

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. წიგნი ეძღვნება აფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ერთობების ეთნოგენეზის პრობლემას. საისტორიო წყაროებისა და ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე მიღებულია დასკვნა, რომ პროტოაფხაზურ-ადიღეური ტომები – მეოტები – ცხოვრობდნენ ჩრდილოთით: აზოვისპირეთში, შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთსა და დონის ქვემო დინებაზე. პროტოაფხაზურ-ადიღეური ტომების სამხრეთით წამოწევა ხდებოდა აღმოსავლეთიდან მომთაბარე ირანული ტომების მიგრაციის გამო. აფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ერთობების ეთნოგენეზში მონაწილეობა მიიღეს მეოტებმა, ირანულმა ტომებმა და ქართველურმა ერთობებმა.
2. წიგნი ორენოვანია (ქართული და ინგლისური ენები). განკუთვნილია, როგორც სპეციალისტებისათვის, ისე მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის. ძირითადი აქცენტი გადატანილია სვანეთში მცხოვრები ქართული გვარების ისტორიაზე. საუბარია სვანეთის ეთნოგრაფიის სხვადასხვა პრობლემებზე.

განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული სვანეთის ადგილზს ერთიან ქართულ ეთნიკურ სამყაროში, სვანეთის ურტიერთობას საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებთან და ჩრდილოეთ კავკასიასთან, სოციალურ ურტიერთობებს და სხვ.

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**როლანდ თოფჩიშვილი**	ხალხთა მიგრაციები	თბილისი; „უნივერსალი“	300
2				
3				

ანოტაციები ქართულ ენაზე

სახელმძღვანელო განკუთვნილია ეთნოლოგიისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სხვა მიმართულების სტუდენტებისათვის. ცნობილია, რომ ეთნოლოგიურ და საისტორიო მეცნიერებას ხალხთა მიგრაციის მიმართ კვლევის საკუთარი ასპექტები გააჩნია. ხალხთა ანდა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების მიგრაციის შედეგად არის ფორმირებული თანამედროვე მსოფლიოს ეთნიკური რუკაც. ეს სურათი კი მსოფლიოს ისტორიის მანძილზე რამდენჯერმე შეიცვალა. მიფრაციები იწვევდა ეთნოგენეზურ პროცესებს, ახალი ეთნოსების წარმოქმნას. სახელმძღვანელოში საუბარია მსოფლიოში ისტორიულად მიმდინარე ხალხთა ან ხალხთა ცალკეული ჯგუფების მიგრაციის შესახებ, მათ გამომწვევ მიზეზებზე და შედეგებზე. სახელმძღვანელოში ვრცლადაა საუბარი საქართველოში ისტორიულად შიდა და გარე და დღეს მიმდინარე მიგრაციული პროცესებზე, ხაზგასმულია, რომ ქართველი ერის გადარჩენაში შიდა მიგრაციული პროცესების როლი განუსაზღვრელი იყო.

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	როლანდ თოფჩიშვილი, როზეტა გუჯეჯიანი, სალომე ბახია-ოქრუაშვილი და სხვ.	კავკასიის ეთნოლოგიის კრებული, XVI	თბილისი; „უნივერსალი“	210
2				
3				

ანოტაციები ქართულ ენაზე

კრებულში დაბეჭდილია რ. თოფჩიშვილის ნაშრომები: 1. აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია – ქართული მეცნიერული ეთნოლოგიის ფუძემდებელი. სტატია გ. ჩიტაიას

დაბადებიდან 125 წლისთავს ეძღვნება; 2. მეორე სტატია ქართული სამოსის ისტორიისა და გენეზისის პრობლემას ეხება. დადასტურებულია, რომ ჩოხა-ახალუხი ქართველი ხალხის წიაღში წარმოიქმნა და აქედან გავრცელდა კავკასიის სხვადასხვა ხალხში. სტატია დაბეჭდილია რუსულ ენაზე; 3. აქვე დასტამბულია რეცენზია თამილა კოშორიძის სადოქტორო დისერტაციაზე. რ. გუჯეჯიანს ეკუთვნის სტატა „ლამპრობის ტრადიცია საქართველოში“. გარკვეულია, რომ ლამპრობის ტრადიცია კონკრეტული ქრისტიანული სწავლებიდან მომდინარეობს და ის არაა წარმართული დღესასწაული. ს. ბახია-ოქრუაშვილის ნაშრომი ინგილოთა საოჯახო ყოფას ეხება. ქართულ-ოსურ ურთიერთობებისადმია მიძღვნილი ნ. ჯალაბაძისა და ლ. ჯანიაშვილის ნაშრომები. ი. კვაშილავას სტატა ქართველი ებრაელების კულტურული რელატივიზმს ეხება. ც. პაპიაშვილის სტატია ზემო იმერეთის თანამედროვე ყოფისა და დემოგრაფიული ყოფისადმია მიძღვნილი. თ. ჭინჭარაულის ნაშრომი კი ხევსურეთში ქრისტიანულისა და წინარექრისტიანულის ურთიერთმიმართების საკითხებისადმია მიძღვნილი. კრებულში დაბეჭდილია ცნობილი ეთნოლოგის რ. ხარაძის სვანური ეთნოგრაფიული მასალები.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**Роланд Топчишвили**	Об этнической принадлежности двалов. – *Осетины в Грузии*.		Тбилиси, Универсал	43
2	**Роланд Топчишвили**	Об осетинской мифологеме истории и кража истории. – *Осетины в Грузии*.		Тбилиси, Универсал	63
3	**Роланд Топчишвили**	Карты отображающие миграцию Осетин в Грузию. – *Осетины в Грузии*.		Тбилиси, Универсал	9
4	**როლანდ თოფჩიშვილი**	აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია – ქართული მეცნიერული ეთნოლოგიის ფუძემდებელი	კავკასიის ეთნოლოგიური კრებული. XVI	თბილისი „უნივერსალი“	19
5	**როლანდ თოფჩიშვილი**	Из истории грузинской одежды: чоха-ахалухи	კავკასიის ეთნოლოგიური კრებული. XVI	თბილისი „უნივერსალი“	43
6	**როლანდ თოფჩიშვილი**	ქართული სამოსის ისტორიიდან: ჩოხა-ახალუხი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს	თბილისი „მერიდიანი“	36

			ისტორიის ინსტიტუტის შრომები. IX		
7	**როლანდ თოფჩიშვილი**	ქართული გვარსახელები იმერხევში	ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები	თბილისი	16
8	**როლანდ თოფჩიშვილი**	ზაქარია ჭიჭინაძე ქართველი გრიგორიანელებისა და ქართველი მუსლიმების შესახებ.	კრებული: „ზაქარია ჭიჭინაძის 160 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები “	თბილისი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა	10
9	**როლანდ თოფჩიშვილი** (თანაავტორები *მიხეილ ბახტაძე, პონდო კუპატაძე, დიმიტრი შველიძე)*	საქართველოს ისტორიის დამახინჯების შესახებ აზერბაიჯანულ გამოცემებში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. IX	თბილისი, „მერიდიანი“	17
10	როლანდ თოფჩიშვილი	რეცენზია თამილა კოშორიძის მიერ ეთნოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ ნაშრომზე – „ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი შიდა ქართლში“.	კავკასიის ეთნოლოგიური კრებული. XVI	თბილისი „მერიდიანი“	12
11	**ქეთევან ხუციშვილი**	სივრცის ტრანსფორმაცია იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობაში (ქვემო ქართლი)	კრ. ტადიციული რელიგიური სისტემა და თანამედროვეობა, ISBN 978-9941-22-681-6	უნივერსალი	245-259
12	**როზეტა გუჯეჯიანი**	ისტორიის რეპრეზენტაცია - ყანსავ ყიფიანი– ლეგენდა თუ სინამდვილე.	საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართული უნივერსიტეტის	თბილისი, „ქართული უნივერსიტეტი“	10

			ჰუმანიტარულ და სამართლის ფაკულტეტის შრომები, 2015, №3		
13	**როზეტა გუჯეჯიანი**	ისტორიის რეპრეზენტაცია - დიდგორის „ძლევაი საკვირველის“ მოტივები ტრადიციულ ქართულ ყოფაში	საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სამართლის ფაკულტეტის შრომები, 2015, №4	თბილისი, „ქართული უნივერსიტეტი“	7
14	**როზეტა გუჯეჯიანი**	კვირიკობა სვანეთში	საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სამართლის ფაკულტეტის შრომები, 2015, №5	თბილისი, „ქართული უნივერსიტეტი“	10
15	**როზეტა გუჯეჯიანი**	ლამპრობის ტრადიცია საქართველოში	კავკასიის ეთნოლოგიის კრებული. მე-16, 2015	თბილისი „უნივერსალი“	21
16	**როზეტა გუჯეჯიანი**	ეთნიკურ ქართველთა განსახლების არეალი და ისტორიული მახსოვრობის ფაქტები ზემო მაჭახელში	ზაქარია ჭიჭინაძის 160 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები	თბილისი	30
17	**როზეტა გუჯეჯიანი**	ვახტანგ მალაყმაძის (ჰაირი ჰაირიოღლუს) ბიოგრაფიიდან - სვლა წმიდა ილია მართლის გზით	ჩვენი სულიერების ბალავარი 2015, 8	ბათუმი ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. უნივერსიტეტის, ქრისტიანული კულტურის კვლევის ცენტრის საერთაშორისო კონფერენციის მასალები	8

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. რუსულ ენაზე დაბეჭდილი ნაშრომი ცენტრალური კავკასიის მთებში მოსახლე ქართულ ეთნოგრაფიულ ჯგუფს – დვალებს – ეხება. სამეცნიერო ლიტერატურაში არის მცდელობა

დვალების ალან-ოსებად გამოცხადებისა. თუმცა არსებული საისტორიო წყაროებით, ეთნოგრაფიული მონაცემებით, ტოპონიმიკური და ნომასტიკური მასალებით დვალები ქართველი მთიელები იყვნენ.

2. ნაშრომში მხილებული არიან ოსი და რუსი ავტორები, რომლებიც შეგნებულად და მიზანმიმართულად აყალბებენ ოსთა საქართველოში მიგრაციას და ქართულ-ოსურ ურთიერთობებს.
3. (ცხრა) ფერადი რუკა ასახავს ოსთა საქართველოში მიგრაციას. ისინი შედგენილია ინგლისურ ენაზე. რუკებიდან ჩანს, რომ ოსების ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე – დვალეთში მიგრაცია განხორციელდა XVI საუკუნეში, ხოლო შიდა ქართლის მთიანეთში – XVII საუკუნის შუა ხანებიდან. ოსთა ქართველთა განსახლების არეალი მიგრაციას ხელი შეუწყო თარეშებმა და შავი ჭირის ეპიდემიამ.
4. ნაშრომი ეძღვნება აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას დაბადებიდან 125-ე წლისთავს, მის შემოქმედებას, რომელმაც ქართულ მეცნიერულ ეთნოლოგიას ჩაუყარა საფუძველი. დაწვრილებითაა განხილული აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას როგორც სამეცნიერო, ისე პედაგოგიური და სამუძეუმო მოღვაწეობა.
5. ნაშრომი რუსულ ენაზე დაიბეჭდა გარკვეული მოსაზრებების გამო, რადგან ის დაუსაბუთებლად ჩეჩენთა შექმნილ მატერიალური კულტურის ელემენტადაა მიჩნეული. ამრიგად ის ეხება ქართული მატერიალური კულტურის ისეთ ელემენტს, როგორიცაა მამაკაცის სამოსი ჩოხა-ახალუხი. სხვადასხვა წყაროების მოხმობით დადასტურებულია, რომ საერთო კავკასიურ სამოსად ქცეული სამოსი – ჩოხა-ახალუხი – ქართველტა წიაღში წარმოიქმნა და აქედან გავრცელდა კავკასიის სხვა ხალხებში. მეცნიერები შეცდომში შეიყვანა იმ ფაქტმა, რომ რუსულ ენაზე მას „ჩერქეზკა“ ეწოდება, რაც განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ეს სამოსი XIხ საუკუნის შუა ხანებში კაზაკებმა ჩერქეზებისაგან შეითვისეს. თანმადევროვე ჩოხა-ახალუხის თარგი ქართულ ფრესკებზე დადასტურებულია XIV საუკუნიდან.
6. ნაშრომი ეხება ქართული მატერიალური კულტურის ისეთ ელემენტს, როგორიცაა მამაკაცის სამოსი ჩოხა-ახალუხი. სხვადასხვა წყაროების მოხმობით დადასტურებულია, რომ საერთო კავკასიურ სამოსად ქცეული სამოსი – ჩოხა-ახალუხი – ქართველტა წიაღში წარმოიქმნა და აქედან გავრცელდა კავკასიის სხვა ხალხებში. მეცნიერები შეცდომში შეიყვანა იმ ფაქტმა, რომ რუსულ ენაზე მას „ჩერქეზკა“ ეწოდება, რაც განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ეს სამოსი XIხ საუკუნის შუა ხანებში კაზაკებმა ჩერქეზებისაგან შეითვისეს. თანმადევროვე ჩოხა-ახალუხის თარგი ქართულ ფრესკებზე დადასტურებულია XIV საუკუნიდან.
7. ნაშრომი შესწავლილია საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში იმერხევში ეთნოგრაფიულად დადასტურებული გვარსახელები. ნაშრომი ეყრდნობა ავტორის მიერ იმერხევის სოფლებში წლების განმავლობაში შეკრებილ ეთნოგრაფიულ მასალებს. იმერხეული გვარები ზუსტად ისეთივე ტოპისა იყო, როგორც დანარჩენ საქართველოში, ისინი ბოლოვდებოდნენ –ძე, -შვილი და –ეთ სუფიქსებით. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთსა და თურქეთში მემკვიდრეობითი სახელი არ არსებობდა, ქართველებმა ის მაინც შეინარჩუნეს, ბევრი უბანი გვარის სახელსაც ატარებდა.
8. ქართულ მეცნიერებას ღრმა კვალი დააჩნია ზაქარია ჭიჭინაძემ. ის არაერთ სხვა საკითხთან ერთად შეეხო ქართველთა რელიგიურ კონფესიურ ჯგუფებს. ნშრომში საუბარია ზაქარია ჭიჭინაძის ღვაწლზე ქართველი მაჰმადიანებისა და ქართველი მონოფიზიტების შესახებ. აღნიშნული რელიგიურ-კონფესიური ჯგუფების არსებობას ზაქარია ჭიჭინაძე ასაბუთებდა, როგორც წერილობითი წყაროებით, ისე ეთნოგრაფიული მონაცემებით.
9. ნაშრომი არის ფაქტობრივად რეცენზია აზერბაიჯანულ გამოცემებში ბოლო დროს გაბატონებულ შეხედულებებზე. ამჯერად საუბარია იმის სესახებ, რომ ქვემო ქართლში თურქული ელემენტი, თურმე, ძველესი დროიდან მკვიდრობს, რომ ბორჩალოელები ქვემო ქართლის გარკვეულ მონაკვეთში სახლდებიან არა XVII საუკუნის დასაწყისიდან, არამედ ძვ. წ. IV საუკუნიდან. ბორჩალოდ მიიჩნევენ არა მხოლოდ ქვემო ქართლს, არამედ შიდა ქართლსაც.
10. რეცენზია ეხება თამილა კოშორიძის სადოქტორო დისერტაციას, რომელიც შიდა ქართლის დღეობათა კალენდარს ეხება.
11. სტატიაში ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე გაანალიზებულია სივრცის მნიშვნელობა რელიგიური იდენტობის ჩამოყალიბებაში და სივრცისადმი დამოკიდებულების პრობლემა იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის მაგალითზე.
12. სტატიაში დაჯგუფებულია ყანსავ ყიფიანის შესახებ არსებული ლეგენდები, გადმოცემები, სიმღერები, გაანალიზებულია თითოეულ მათგანში მოთხრობილი ისტორიები და ეს მასალა შედარებულია თანამედროვე ეთნოგრაფიულ კვლევით (2010-2015) ინფორმაციას. დაკონკრეტებულია ყანსავ ყიფიანის გმირობისა და საზოგადოებრივი ღვაწლის ამსახველი ინფორმაცია. გამოვლენილია მის ცხოვრებასთან დაკავშირებული გეოგრაფიული პუნქტები: მისი რეზიდენცია, კარის ეკლესია, ყიფიანთა სასაფლაოები, სხვადასხვა საჯუშაგო კოშკები.
13. სტატიაში დაჯგუფებულია წმიდა გიორგისთან დაკავშირებული სვანეთში არსებული ლეგენდები, გადმოცემები, საგალობლები, სიმღერები, ფერხული. გაანალიზებულია უკვე

არსებულ ეთნოგრაფიულ ჩანაწერებში დაცული ინფორმაცია. ეს მასალა შედარებულია თანამედროვე ეთნოგრაფიული კვლევით მოძიებულ ინფორმაციას. დაკონკრეტებულია წმიდა გიორგის, როგორც მოწამისა და როგორც ქართველთა მფარველი გმირი ხატებები. გამოვლენილია სვანეთის ტრადიციულ ყოფაში, სვანეის ისტორიულ მახსოვრობაში შემონახული გადმოცემების გეოგრაფიული სივრცე, რომელშიც დაკონკრეტებულია წმიდა გიორგის მეოხებით და დახმარებით მიღწეული გამარჯვებები და კონკრეტული გეოგრაფიული პუნქტები. ნაშრომი შესრულებულია ისტორიული ეთნოლოგიის კვლევის ფარგლებში.

14. ნაშრომში აღწერილია კვირიკეს მონასტრის ისტორია და კვირიკობის ხალხური დღესასწაული („ლიგურკა“) სვანეთში. მოთხრობილია დღესასწაულის მენეჯმენტისა და მიმდინარეობის ამსახველი ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც გაანალიზებულია ისტორიული ეთნოლოგიის კვლევის მეთოდოლოგიის ფარგლებში.
3	ვ. ლიჩელი	New discoveries in Georgia	ნიუნბერგი (ოქტომბერი)
4	ფუთურიძე მ.	Concept and Perspective of Multilingual (Russian-English-French-Italian) Online Archaeological Dictionary.	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „Dialogue of Cultures on the Great Silk Road”, ქ. აშხაბადი, 11-13.11. 2015
5	ფუთურიძე მ.	„Ancient Anatolia and the Borderland: Cultural Influences in Prehistory”	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „Indo-Turkic Relations: Perspectives and its Contemporary Relevance”, ქ. დელი, 1-3.11.2015
6	ე. ზაუერი, კ. ფიცხელაური	Securing the Caucasus through Intelligence and Hard Power	სექტემბერი, ქ. ინგოლშტადი, გერმანია

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე
1. სანკტ-პეტერბურგში წაკითხულ მოხსენებაში განხილული იყო გრაკლიან გორაზე აღმოჩენილი ძვ.წ.7 საუკუნის დამწერლობის ეკონომიკური და კულტურული წინამძღვრების საკითხები.
2. ნიუნბერგში წაკითხული საჯარო ლექციის თემა ეხებოდა გრაკლიანის დამწერლობის წარმოშობისა და მისი ტექნიკური მხარის კვლევის შედეგებს.
3. ნიუნბერგში წაკითხულ მოხსენებაში განხილული იყო სამი არქეოლოგიური ძეგლის: აწყურის, ფოთისა და გრაკლიანი გორის ახალი აღმოჩენების ინტერპრეტაციის საკითხები.
4. მოხსენება „Concept and Perspective of Multilingual (Russian-English-French-Italian)

Online Archaeological Dictionary" მიეძღვნა დღევანდელი არქეოლოგიური მეცნიერებისათვის ერთ-ერთი ძალზე აქტუალური პრობლემის დამუშავების საკითხის. კერძოდ კი, დარგობრივი მრავალენოვანი არქეოლოგიური ლექსიკონის შექმნის და მისი ონლაინ ვერსიით გამოცემის კონცეფციასა და პერსპექტივას. განხილული და სამეცნიერო წრეებისათვის შემოთავაზებული იქნა ის მოდელი,რომელმაც მნიშვნელოვნად უნდა შეუწყოს ხელი არქეოლოგიის დარგის შემდგომ განვითარებას.
5. მოხსენება „ Ancient Anatolia and the Borderland: Cultural Influences in Prehistory" მიეძღვნა უძველესი ანატოლიის კავშირურთიერთობისა და მისი კულტურული ზეგავლენის საკითებს მოსაზღვრე რეგიონებში, კერძოდ კი სამხრეთ კავკასიაში. აღნიშნული მოვლენა ყველაზე ინტენსიურად გამოვლინდა ბრინჯაოს ხანაში, რომლის მასალების თანმიმდევრულ განხილვასაც მიეძღვნა მოხსენება.
6. მოხსენება ეხება კავკასიაში სასანური ეპოქის თავდაცვით სიმაგრეებს

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	**კვიპროსის არქეოლოგიური ექსპედიცია**	ვ. ლიჩელი	ვ. ლიჩელი გ. გაგოშიძე დ. ნასყიდაშვილი ს. კოხრეიძე დ. გაგოშიძე ზ. გიორგაძე	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
2.	**აწყურის კათედრალის გათხრები**	ვ. ლიჩელი	ვ. ლიჩელი ბ. გელაშვილი მოწვეული თანამშრომლები	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
3.	**გრაკლიანის ვიზუალიზაციის სამუშაოები**	ვ. ლიჩელი	ვ. ლიჩელი გ. გრიგოლია, ს. კოხრეიძე, მოწვეული თანამშრომლები	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
4.	**გრაკლიანის IV ტერასის კვლევა**	ვ. ლიჩელი	ვ. ლიჩელი გ. გრიგოლია, ს. კოხრეიძე. მოწვეული თანამშრომლები	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
5.	**მრგვალი ჭალის გათხრები**	ვ. ლიჩელი	ვ. ლიჩელი ბ. გელაშვილი მოწვეული თანამშრომლები	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
6	**სვანეთში–ლახამიჰესი–1და2–ის მშენებლობის ზონაში ჩატარებული სავველე–არქეოლოგიური სამუშაოები**	ზვიად კვიციანი	ზვიად კვიციანი მალხაზ ცინდელიანი, ირაკლი ანჩაბაძე	ავსტრიული კომპანია
7	**სვანეთში–კასლეთიჰესი 1 და 2–ის მშენებლობის ზონაში ჩატარებული სავველე–არქეოლოგიური სამუშაოები**	ზვიად კვიციანი	ზვიად კვიციანი ვახტანგ ლიჩელი ემზარ ლომთაძე	შპს „ჰიდროლეა“(ბულგარეთი)
8	**სვანეთში–მესტიაჭალაჰესი 1 და 2–ის მშენებლობის ზონაში ჩატარებული სავველე–არქეოლოგიური სამუშაოები**	ზვიად კვიციანი	ზვიად კვიციანი ვახტანგ ლიჩელი	სს“სვანეთიჰიდრო”(საქართველო) კომპანია ალტ&თაგგარტ-(თურქეთი),კომპანიდ ლობალ-(ავსტრია)
9	**სვანეთში–ნენსკრაჰესის მშენებლობის ზონაში ჩატარებული სავველე–არქეოლოგიური სამუშაოები**	ზვიად კვიციანი	ზვიად კვიციანი ვახტანგ ლიჩელი მალხაზ ცინდელიანი, რეზო ხვისტანი	საქართველოს საპარტნიორო ფონდი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების

				ბანკი, კომპანია ჭატერ (სამხრეთ კორეა) კომპანია „შალინი Iმპრეგილო“ (იტალია)
10	**ძვ. წ. XII-IX სს. “დიდნაურის” ნაქალაქარის და სამაროვნის არქეოლოგიური გათხრები**	კონსტანტინე ფიცხელაური	კ. ფიცხელაური დ. ნასყიდაშვილი მ. კასრაძე გ. ლაღიაშვილი	თსუ; საქართველოსმეცნიერებათაეროვნულ იაკადემია

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

1. კვიპროსის ექსპედიციის ამოცანა იყო აქამდე უცნობი ქართული სამონასტრო კომლექსების მიკვლევა. ქ. ლარნაკას მიდამოებში ჩატარებული სადაზვერვო სამუშაოების შედეგად მიკვლეულია აქამდე უცნობი სამფენიანი ძეგლი, რომლის ფინალური პერიოდი (10-12 საუკუნეების ეკლესია) შესაძლოა, წარმოადგენს ქართველი ბერების კვიპროსზე მოღვაწეობის შედეგს.

2. 2015 წლის 15 სექტემბრიდან 25 სექტემბრამდე ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, არქეოლოგიის ინსტიტუტის, სვანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი პროფ.ზ.კვიციანი) არქეოლოგიური სამუშაოები აწარმოა, მესტიის მუნიციპალიტეტის, ჭუბერის რეგიონში. კერძოდ საპროექტო ლახამი ჰესის მშენებლობის ზონაში, სადაც ჩატარდა I და 2 ეტაპის სამუშაოები. დეტალურად იქნა შესწავლილი აღნიშნული მიკრორეგიონი. დაზვერვების შედეგად დადასტურდა, რომ, სოფ.ქვ.ლახამი, კერძოდ ჰესის მშენებლობის ნაკვეთი წარმოადგენს პალეო მდინარის კალაპოტს და ნამეწყრალს. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებისა და მიმოხილვის შედეგად დადგინდა, რომ ლახამიჰესი-1 და ლახამიჰესი-2 ის მშენებლობის ზონაში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ დასტურდება.

3. 2015 წლის ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, არქეოლოგიის ინსტიტუტის (დირექტორი: პროფ. ვ.ლიჩელი), სვანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი:ზ.კვიციანი) არქეოლოგიური სამუშაოები აწარმოა, მესტიის მუნიციპალიტეტის, ხაიშის რეგიონში. კერძოდ , კასლეთიჰესის მშენებლობის ზონაში სადაც ჩატარდა I და II ეტაპის სამუშაოები. ანუ ექსპედიციის მიზანი გახლდათ მომავალი მშენებლობის ზონაში მოქცეული არქეოლოგიური ძეგლების აღრიცხვა – ფიქსაცია, დაზვერვა. ჩვენს მიერ ჩატარებული საველე სამუშაოების შედეგად თხრილებში კულტურული ფენები და არქეოლოგიური მასალა არ ფიქსირდება.

4. 2015 წლის 25–ივნისიდან 10 ივლისამდე ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, არქეოლოგიის ინსტიტუტის (დირექტორი: პროფ. ვ.ლიჩელი), სვანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი:ზ.კვიციანი) არქეოლოგიური სამუშაოები აწარმოა დაბა მესტიის ტერიტორიაზე, კერძოდ, მესტიაჭალა–2 და მესტიაჭალა–1 ჰესების მშენებლობის ზონაში, სადაც ჩატარდა I და II ეტაპის სამუშაოები. ანუ ექსპედიციის მიზანი გახლდათ მომავალი მშენებლობის ზონაში მოქცეული არქეოლოგიური ძეგლების აღრიცხვა – ფიქსაცია, დაზვერვა. არქეოლოგიური დაზვერვებისა და მიმოხილვილს შედეგად დადასტურდა, რომ, მესტიაჭალაჰესი–2–ის და მესტიაჭალაჰესი–1–ის მშენებლობის საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს მდინარის კალაპოტს და ნამეწყრალს. ამ მონაკვეთზე არანაირი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ არის.

5. სტუდენტთა სასწავლო-სამეცნიერო პრაქტიკის დროს აღმოჩენილი რკინის ქურები, ასევე გადამუშავების შედეგად ნარჩენი მასალები - რკინის ნაღვენთები, თავად გადამუშვებული რკინა, ქვით ნაშენი და შებათქაშებული ქურები - ძველი წელთაღრიცხვის მე-8-მე-7 საუკუნეებით თარიღდება. დაფიქსირებული მასალის რაოდენობა და ტერიტორიის მასშტაბი გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სვანეთში, რაჭისა და მდინარე ჭორიხის აუზში მოპოვებული რკინით იმ პერიოდში არა მხოლოდ კოლხეთი, არამედ წინა აზიის სახელმწიფოებიც მარაგდებოდა. იმ პერიოდში რკინის მოპოვება და დამუშვება მაღალი ცივილიზაციის არსებობის მაჩვენებელი იყო.

ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ბოლო წლების ნენსკრას ხეობის საველე არქეოლოგიური დაზვერვების შედეგად ჩვენ უკვე გვაქვს ამ ხეობის დასახლების ტოპოარქეოლოგიური რუქა ანუ გათხრების შედეგად დადასტურდა, , რომ ნენსკრას ხეობის დღევანდელი დასახლებული პუნქტები: **ლუხვი,ლახანი, ქვ.ქედანი,ლეკულმახე,ლეწფერი, ქვ. მარღის ნაწილი** წარმოადგენს პალეომდინარის კალაპოტს. რაც შეეხება სხვა პუნქტებს: **სოფ.ლახამის** ძეგლები თარიღდება გვიანბრინჯაო ადრერკინის ხანით,**სოფ,ლარილარი** ადრეანტიკური და ელინისტური პერიოდით, სოფ, ზედა მარღი გვიანანტიკური(რომაული) და ადრეშუასაუკუნეები.,სოფლები: **ქვ. მარღი, სგურიში, ყარი, ზემო ქედანი** შუასაუკუნეებით. გარდა ზემოთ აღნიშნული საველე არქეოლოგიური სამუშაოებისა თსუ სვანეთის

არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ამ პერიოდში მოხდა მესტიის მუნიციპალიტეტის, ჭუბერისა და ნაკრის თემებში შემავალი სოფლების ახალი, დღემდე უცნობი ნაეკლესირებისა და ნაკოშკარების აღმოჩენა, გამოვლენა, დაგეგმვა და მათი შემოტანა სამცნიერო მიმოქცევაში. ექსპედიციის მიერ გამოვლენილი არქეოლოგიური მასალები მნიშვნელოვნად ავსებენ ამ კუთხის მატერიალური კულტურის ძეგლებს, რომელთაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ არა მარტო სვანეთის, არამედ კავკასიონის მთიან ზოლში მოსახლე სხვა ქართველი ტომების შორეული წარსულის გასაშუქებლად, საქართველოს ისტორიაში მათი როლისა და მნიშვნელობის გასარკვევად. აღნიშნული ძეგლები ასევე საინტერესოა მეზობელ და შორეულ ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის ისტორიის თვალსაზრისით.
6.დიდნაურის“ნაქალაქარის მთელი კომპლექსის გამოკვლევამ დასაშვებია ძირეულად შეცვალოს შემუშავებული ფუნდამენტური დასკვნები ჩვენი წარსულის შესახებ და მრავალი საუკუნით გადასწიოს ისტორიის სიღრმეში აღმოსავლეთ საქართველოში სახელმწიფოს ჩამოყალიბების თარიღი.

IV. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	არქეოლოგია გრაკლიანის გათხრები	ვ. ლიჩელი	აკადემიური პერსონალი და სტუდენტები	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				
1. გრაკლიანი ვრცელი პროექტი დაიწყო 2014 წელს და გაგრძელდება 2017 წლის ჩათვლით. 2015 წლის ძიების ძირითადი მიზანი იყო ძვ.წ. 8-7 საუკუნეების კულტურული ფენების გამოკვლევები. ხოლო ამ სამუშაოთა ლოგიკური შედეგი იყო მიკვლევა ძვ.წ. 7 საუკუნის ტაძრისა, რომელშიც აღმოჩნდა საქართველოში უძველესი წარწერა. ერთი წარწერა მოთავსებულია საკურთხევლის პოსტამენტზე, ხოლო მეორე კი - დასავლეთი საკურთხევლის აღმოსავლეთ საფასადო ნაწილზე.				

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

კულტურის კვლევათა

სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

2015 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში

თბილისი

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება **კულტურის კვლევათა ინსტიტუტი**
* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი **პროფესორი ნინო ჩიქოვანი**
* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა **პროფესორი ნინო ჩიქოვანი, ასოც. პროფესორი ქეთევან კაკიტელაშვილი, ასოც. პროფესორი ივანე წერეთელი, ასისტ. პროფესორი მაია ქვრივიშვილი**

I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

I. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1				
დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები				

(ქართულ ენაზე)

I. 4.

2	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მაია ქვრივიშვილი	საბჭოთა ადამიანის ჩამოყალიბება	კონფერენციის თეზისები, 2015	https://www.tsu.ge/data/image_db_innova/2015.konf.saboloo.pdf	გვ.30-34
2					
3					

ანოტაციები ქართულ ენაზე

1.

საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში მოხდა ახალი საბჭოთა სოციალისტური იდენტობის-ხალხის ჩამოყალიბება, რომლის ნაწილიც იყო საქართველოს საზოგადოებაც და რომელმაც ფორმირების რთული და თავისებური გზა გაიარა.

კულტურული რევოლუცია, რომელიც XX საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო და საბჭოთა კავშირის იურიდიულ არსებობამდე გრძელდებოდა, ახალი ადამიანის, საბჭოთა სოციალისტური ერის შექმნას ემსახურებოდა. ბოლშევიკების მიერ გატარებულმა რეფორმებმა, რომელიც ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებას შეეხო, თავისი შედეგი გამოიღო და შეიქმნა ე.წ. ჰომოსოვიეტიკუსი: მორჩილი და უკრიტიკო ადამიანი, პრივილეგირებული პარტიული ნომენკლატურა და საბჭოთა ინტელიგენცია, რომელიც ყველაზე კარგად გამოხატავდა საბჭოთა ადამიანის ხასიათს.

საბჭოთა კავშირის მოსახლეობის სოციალური გადამუშავების საყოველთაო თვისება იყო ტოტალურობა. რომელსაც უზრუნველყოფდა ძირითადად სამი რამ: საყოველთაო საშუალო განათლება (საყოველთაო წიგნიერება), საყოველთაო/საერთო სამხედრო ვალდებლება და საყოველთაო დასაქმებულობა.

II. 2. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნინო ჩიქოვანი	Ethnic Minorities in the History of Georgia: the Post-Soviet History Textbooks	აღმოსავლეთ ევროპის დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის (ფრიბურგი, შვეიცარია, 2012) მოხსენებათა კრებული	იბეჭდება
2	ნინო ჩიქოვანი	History Wars in the	History Education	Georg-Eckert-Institute,

		Post-Soviet Georgia	under Fire	Braunschweig იბეჭდება
3	ნინო ჩიქოვანი	Formation du narratif d'identitკ en Gკorgie ა la fin du XIX[e] siocle et au dკbut du XX[e] siocle	Les Constructions Identitaires dans les Espaces Francophones D'Europe Orientale et D'afrique	Publications de l'Institut des Etudes Africaines, Rabat

ანოტაციები ქართულ ენაზე

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. ეთნიკური უმცირესობები საქართველოს ისტორიაში: პოსტსაბჭოთა პერიოდის ისტორიის სახელმძღვანელოები

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეროვნული ისტორიის ხელახალი გააზრება სახელმწიფოს მშენებლობის შემადგენელ ნაწილად იქცა როგორც სხვა ქვეყნებში, ასევე საქართველოში. ისტორიას/წარსულს მიმართავდნენ ახლად დამოუკიდებლობა მოპოვებული ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევებზე პასუხის ძიების პროცესში. ეთნიკური უმცირესობების როლის განსაზღვრა ქვეყნის წარსულსა და აწმყოში უმნიშვნელოვანეს საკითხად იქცა მრავალეთნიკური და მრავალკულტურული სახელმწიფოსთვის. გაზიარებული წარსული იდენტობის ერთ-ერთ ძირითად მსაზღვრელად მიიჩნევა, შესაბამისად, ისტორია როგორც ურავლესობის, ასევე ეთნიკურ უმცირესობათა ინტერესის საგნად იქცა. დისკუსია საბჭოთა ვერსიისაგან განსხვავებული ახალი ნარატივისა და ისტორიის სწავლების მეთოდოლოგიის შესახებ გაამწვავა ეთნოკონფლიქტებმა და მათმა თანმდევმა კონფლიქტურმა მეხსიერებამ. როგორც წესი, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ისტორიის სახელმძღვანელოები *დიდი ნარატივის* საფუძველზე და მის ფარგლებში იქმნება, მაგრამ პოსტსაბჭოთა პერიოდში სახელმძღვანელოები უფრო მოქნილი აღმოჩნდა, ეთნოცენტრული ნარატივის დაძლევისა და ქვეყნის ისტორიაში ეთნიკური უმცირესობების როლის ასახვის თვალსაზრისით.

2. "ისტორიკოსთა ომები" პოსტსაბჭოთა საქართველოში

საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ, ეთნიკური კონფლიქტებისა და კონფლიქტის შემდგომი ტრავმული მეხსიერების არსებობის პირობებში, საქართველოში მიმდინარეობდა ახალი საისტორიო ნარატივის ფორმირებისა და ისტორიის სწავლების პრინციპების განსაზღვრის წინააღმდეგობრივი პროცესი. ნაშრომში განხილულია ამ პროცესის ორი მიმართულება: 1) უმრავლესობის ნარატივი ეთნიკურ უმცირესობათა (აფხაზები და ოსები) ნარატივების პირისპირ; 2) ქართული *დიდი საისტორიო ნარატივი* და ეროვნული სტანდარტით განსაზღვრული ისტორიის სწავლების პრინციპები, აგრეთვე მათ საფუძველზე შექმნილი სასკოლო სახელმძღვანელოები.

3. იდენტობის ფორმირება საქართველოში მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე

ნაშრომში განხილულია საქართველოში იდენტობის ნარატივის ფორმირების ეტაპი მე-19 საუკუნის 60-70-იანი წლებიდან მე-20 საუკუნის დასაწყისამდე. გაანალიზებულია იდენტობის ნარატივის ჩამოყალიბების პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კონტექსტი, შესწავლილია ქართველ ინტელექტუალთა მიერ იდენტობის ძირითადი მარკერების განსაზღვრისა და იდენტობის ნარატივის ჩამოყალიბების პროცესი.

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნინო ჩიქოვანი ქეთევან კაკიტელაშვილი, სოფიო არსენიშვილი	იდენტობის ფორმირება მულტიკულტურულ გარემოში”	თბილისი, თსუ გამომცემლობა	132
2	ნინო ჩიქოვანი, ქეთევან კაკიტელაშვილი, დავით მალაზონია და სხვ.	მრავალეთნიკური და მრავალკულტურული საქართველო	თბილისი, თსუ გამომცემლობა	284

ანოტაციები ქართულ ენაზე

1.

აღნიშნული გამოცემა წარმოადგენს სასწავლო სახელმძღვანელოს იგივე სახელწოდების კურსისათვის, რომელიც შეიქმნა ტემპუსის პროექტის “კურიკულუმის რეფორმის საერთაშორისო მოდელის განვითარება მულტიკულტურული განათლებისა და კულტურული მრავალფეროვნების სწავლებისათვის” ფარგლებში. ამოცემა მოიცავს მუშაობისათვის საჭირო ქართულ და უცხოენოვან მასალას.

2.

აღნიშნული გამოცემა წარმოადგენს სასწავლო სახელმძღვანელოს იგივე სახელწოდების კურსისათვის, რომელიც შეიქმნა ტემპუსის პროექტის “კურიკულუმის რეფორმის საერთაშორისო მოდელის განვითარება მულტიკულტურული განათლებისა და კულტურული მრავალფეროვნების სწავლებისათვის” ფარგლებში. მასში წარმოდგენილია საქართველოს ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნების ჩამოყალიბებისა და დღევანდელი რეალობის ამსახველი მასალები.

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	საერთაშორისო სამეცნიერო წელიწდეული. სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე	“ცივილიზაციური ძიებანი”	თბილისი, თსუ გამომცემლობა	
2	საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი. სარედაქციო საბჭოს წევრი	*“Culture and Dialogue”*	Taipei, Airiti Press Inc. გესენი, გერმანია	

3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნინო ჩიქოვანი	Ethnic Minorities in the History of Georgia: the Post-Soviet History Textbooks	აღმოსავლეთ ევროპის დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის (ფრიბურგი, შვეიცარია, 2012) მოხსენებათა კრებული	იბეჭდება	11
2	ნინო ჩიქოვანი	History Wars in the Post-Soviet Georgia	History Education under Fire	Georg-Eckert-Institute, Braunschweig იბეჭდება	10
3	ნინო ჩიქოვანი	Formation du narratif d'identitკ en Gკorgie ა la fin du XIX^{e} siocle et au dკbut du XX^{e} siocle	Les Constructions Identitaires dans les Espaces Francophones D'Europe Orientale et D'afrique	Publications de l'Institut des Etudes Africaines, Rabat	9

ანოტაციები ქართულ ენაზე

4. ეთნიკური უმცირესობები საქართველოს ისტორიაში: პოსტსაბჭოთა პერიოდის ისტორიის სახელმძღვანელოები

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეროვნული ისტორიის ხელახალი გააზრება სახელმწიფოს მშენებლობის შემადგენელ ნაწილად იქცა როგორც სხვა ქვეყნებში, ასევე საქართველოში. ისტორიას/წარსულს მიმართავდნენ ახლად დამოუკიდებლობა მოპოვებული ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევებზე პასუხის ძიების პროცესში. ეთნიკური უმცირესობების როლის განსაზღვრა ქვეყნის წარსულსა და აწმყოში უმნიშვნელოვანეს საკითხად იქცა მრავალეთნიკური და მრავალკულტურული სახელმწიფოსთვის. გაზიარებული წარსული იდენტობის ერთ-ერთ ძირითად მსაზღვრელად მიიჩნევა, შესაბამისად, ისტორია როგორც ურავლესობის, ასევე ეთნიკურ უმცირესობათა ინტერესის საგნად იქცა. დისკუსია საბჭოთა ვერსიისაგან განსხვავებული ახალი ნარატივისა და ისტორიის სწავლების მეთოდოლოგიის შესახებ გაამწვავა ეთნოკონფლიქტებმა და მათმა თანმდევმა კონფლიქტურმა მეხსიერებამ. როგორც წესი, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ისტორიის სახელმძღვანელოები *დიდი ნარატივის* საფუძველზე და მის ფარგლებში იქმნება, მაგრამ პოსტსაბჭოთა პერიოდში სახელმძღვანელოები უფრო მოქნილი აღმოჩნდა, ეთნოცენტრული ნარატივის დაძლევისა და ქვეყნის ისტორიაში ეთნიკური უმცირესობების როლის

ასახვის თვალსაზრისით.

5. "ისტორიკოსთა ომები" პოსტსაბჭოთა საქართველოში

საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ, ეთნიკური კონფლიქტებისა და კონფლიქტის შემდგომი ტრავმული მეხსიერების არსებობის პირობებში, საქართველოში მიმდინარეობდა ახალი საისტორიო ნარატივის ფორმირებისა და ისტორიის სწავლების პრინციპების განსაზღვრის წინააღმდეგობრივი პროცესი. ნაშრომში განხილულია ამ პროცესის ორი მიმართულება: 1) უმრავლესობის ნარატივი ეთნიკურ უმცირესობათა (აფხაზები და ოსები) ნარატივების პირისპირ; 2) ქართული *დიდი საისტორიო ნარატივი* და ეროვნული სტანდარტით განსაზღვრული ისტორიის სწავლების პრინციპები, აგრეთვე მათ საფუძველზე შექმნილი სასკოლო სახელმძღვანელოები.

6. იდენტობის ფორმირება საქართველოში მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე

ნაშრომში განხილულია საქართველოში იდენტობის ნარატივის ფორმირების ეტაპი მე-19 საუკუნის 60-70-იანი წლებიდან მე-20 საუკუნის დასაწყისამდე. გაანალიზებულია იდენტობის ნარატივის ჩამოყალიბების პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კონტექსტი, შესწავლილია ქართველ ინტელექტუალთა მიერ იდენტობის ძირითადი მარკერების განსაზღვრისა და იდენტობის ნარატივის ჩამოყალიბების პროცესი.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნინო ჩიქოვანი	მულტიკულტურული განათლების სფეროში საქართველოს გამოცდილების საკითხისათვის	საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „კულტურა: გამყოფი ხაზი თუ კავკასიის ხალხთა გაზიარებული მემკვიდრეობა". 23-27 სექტემბერი, 2015, თბილისი.
2	ნინო ჩიქოვანი	იდენტობის ფორმირების პრობლემები საქართველოში კულტურის კვლევათა პერსპექტივიდან	ივ.ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გისენის უნივერსიტეტის ერთობლივი კონფერენცია "ადამიანური და ბუნებრივი რესურსები მულტიეთნიკურ საზოგადოებებში". 5-7 ნოემბერი, 2015. თბილისი
3			

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1. მულტიკულტურული განათლების სფეროში საქართველოს გამოცდილების

საკითხისათვის

ნაშრომში განხილულია ნაბიჯები, რომლებიც საქართველოში გადაიდგა მულტიკულტურული განათლების მიმართულებით, კერძოდ, სასკოლო საისტორიო განათლების სფეროში განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც სახელმძღვანელოებში აისახა; ადგილობრივი და საერთაშორისო სასწავლო პროექტები; თსუ კულტურის კვლევათა ინსტიტუტის საქმიანობა ამ მიმართულებით.

2. იდენტობის ფორმირების პრობლემები საქართველოში კულტურის კვლევათა პერსპექტივიდან

იდენტობის კვლევები თანამედროვე სოციალურ მეცნიერებათა ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა. იდენტობის პრობლემები ინტერდისციპლინური კვლევის სფეროა. კულტურის მეცნიერებებს იდენტობის ფორმირების პრობლემათა კვლევის საინტერესო პერსპექტივა აქვს. მოხსენების მიზანია კვლევითი პროექტის შედეგების პრეზენტაცია, რომელიც განხორციელდა 2012-2014 წლებში თსუ კულტურის კვლევათა ინსტიტუტის მიერ, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით. პროექტის სათაურია "იდენტობის ნარატივები საქართველოში: მრავალეთნიკური ქართველი ერის სათავეებთან (1860-1918)". პროექტის შედეგები ასახულია ამავე სახელწოდების წიგნში, რომელიც თბილისში 2014 წელს გამოიცა.

კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენდა ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორიები, რომელთა მიხედვით, ერი თანამედროვე და კონსტრუირებული ფენომენია, ერთობა, წარმოსახული მის წევრთა და ლიდერთა მიერ. კვლევა დაფუძნებულია იდენტობის მშენებელი ნარატივების, ანუ იმ ტექსტების ანალიზზე, რომლებიც განსაზღვრავენ კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის ფიზიკურ, კულტურულ და ინტელექტუალურ ადგილს მსოფლიოში, ასახავენ ამ ჯგუფის აღქმას სხვა ჯგუფების მიერ, მისი წევრების ქცევას სხვათა პირისპირ. ეს ტექსტები ქმნიან თვიაღქმის, აგრეთვე სხვათა აღქმის საფუძველს.

ნაშრომში გააზრებულია ინტელექტუალების, როგორც იდენტობის ფორმირების პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი აგენტების როლი. ნაციონალიზმის მოდერნისტულ თეორიებში ინტელექტუალები აღიარებული არიან რაციონალურ აქტორებად, რომლებიც ქმნიან არა მხოლოდ თავად ერებს, არამედ უნივერსალურ დუსკურსსაც და მნიშვნელობებს, რომლებშიც შესაძლებელია ერების ფორმირება. 1860-1870-იანი წლები ის პერიოდია, როცა საქართველოში იქმნება ქართველთა და აქ მცხოვრებ სხვა ეთნიკურ ჯგუფთა იდენტობის ნარატივები – პუბლიცისტურ წერილებში და ლიტერატურულ ტექსტებში. მე-20 საუკუნის დასაწყისში ყალიბდება ქართული დიდი საისტორიო ნარატივიც.

ნაშრომი შედგება თეორიული ნაწილისა და რამდენიმე შემთხვევის კვლევისაგან. თეორიულ ნაწილში გაანალიზებულია საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ვითარება მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში; იმპერიული კონტექსტი და იდენტობის პრობლემათა აქტუალიზაციის როგორც ზოგადი კანონზომიერებანი, ასევე ადგილობრივი თავისებურებანი. გამოკვეთილია ქართველი ინტელექტუალების როლი ეროვნული იდენტობის ფორმირებაში და ამ მიმართულებით მათი პრაქტიკული მოღვაწეობის მნიშვნელობა. კონკრეტული შემთხვევების სახით შესწავლილია ებრაული, სომხური, აზერბაიჯანული, აფხაზური და ოსური ნარატივები ადგილობრივი გაზეთების და პუბლიცისტური წერილების ანალიზის საფუძველზე. ეს უკანასკნელნი შეიკრიბა, სისტემატიზდა, დაერთო ავტორთა ბიოგრაფიული მონაცემები – მათი, ვინც ნაკლებად ცნობილია აკადემიური წრეებისათვის, ან ვინც ფსევდონიმით ბეჭდავდა. იდენტობის ნარატივების ნაწილი თან ერთვის გამოკვლევას, ეთნიკური ჯგუფების ენაზე შექმნილი ნარატივების ნაწილი ქართულად ითარგმნა და ასევე დაერთო ნაშრომს. მოხსენებაში მოკლედ შეჯამებულია კვლევის ძირითადი შედეგები.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნინო ჩიქოვანი	კულტურული თვითშეგნების აღზრდა და ინტერკულტურული დიალოგის ხელშეწყობა განათლების მეშვეობით (საქართველოს მაგალითი)	„ცივილიზაციათა დიალოგის“ მე-13 მსოფლიო ფორუმი (როდოსის ფორუმი 2015). 8-12 ოქტომბერი, 2015. როდოსი, საბერძნეთი
2	ნინო ჩიქოვანი	საბჭოთა დრო პოსტსაბჭოთა მეხსიერებაში: როგორ კონსტრუირდებოდა ახალი მეხსიერება საქართველოში	კულტურის ისტორიის საერთაშორისო საზოგადოების (ISCH) ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია. 7-10 სექტემბერი, 2015. ბუქარესტი
3	ნინო ჩიქოვანი	მეხსიერების კონსტრუირება პოსტსაბჭოთა საქართველოში: „ახალი წარსული“ ახალი მომავლისთვის	კულტურისა და კულტურის კვლევების ცენტრის III საერთაშორისო კონფერენცია “იდენტობა და კულტურა“. 3-5 სექტემბერი, 2015. სკოპიე, მაკედონია
4	ნინო ჩიქოვანი	ვინ არის „სხვა“? იდენტობის კონსტრუირება საისტორიო განათლების მეშვეობით პოსტსაბჭოთა საქართველოში	საისტორიო მეცნიერებათა 22-ე საერთაშორისო კონგრესი. 23-29 აგვისტო, 2015. ჯინანი, ჩინეთი
5	ნინო ჩიქოვანი	იდენტობის (რე)კონსტრუირება საისტორიო განათლების მეშვეობით (საქართველოს მაგალითი)	საერთაშორისო კონფერენცია „მულტიკულტურალიზმი, ბავშვთა უფლებები და მსოფლიო მოქალაქეობა“. 30 ივნისი-2 ივლისი, 2015, ჰაიფა, ისრაელი
6	ნინო ჩიქოვანი	იმპერიული გამოწვევები და ადგილობრივი პასუხები: საქართველო 1860-1917 წლებში	საერთაშორისო ვორკშოპი პროექტის „ებრაული იდენტობა საქართველოში გლობალიზაციის გარიჟრაჟზე“ ფარგლებში. 16-18 თებერვალი, 2015. იერუსალიმი, ისრაელი

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1. კულტურული თვითშეგნების აღზრდა და ინტერკულტურული დიალოგის ხელშეწყობა განათლების მეშვეობით (საქართველოს მაგალითი)

ნაშრომი ეხება განათლების მეშვეობით კულტურული თვითშეგნების აღზრდისა და ინტერკულტურული დიალოგის ხელშეწყობის გამოცდილებას პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოში. იგი ემყარება ისტორიის სწავლების პრინციპებისა და იმ ისტორიული კონტექსტის ანალიზს, რომელიც მკაფიოდ აისახება საისტორიო განათლებისადმი მიდგომების დინამიკაში.

შესავალ ნაწილში წარმოდგენილია პირველი პოსტსაბჭოთა წლების გამოწვევები, როცა საბჭოთა ხალხების "ძმობისა და მეგობრობის" რიტორიკა "იდენტობის ომებმა" და ეთნიკურმა კონფლიქტებმა შეცვალა. მეორე ნაწილში განხილულია საისტორიო განათლების სფეროში არსებულ გამოწვევებზე პასუხების ძიების პროცესი. ამას მოსდევს საგანმანათლებლო პოლიტიკაში შემობრუნების მომენტის განხილვა, კერძოდ, გაანალიზებულია ახალი საგანმანათლებლო სტანდარტისა და ისტორიის კურიკულუმის შემუშავება. დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია თსუ კულტურის კვლევათა ინსტიტუტისა და ინტერკულტურული დიალოგის იუნესკოს კათედრის საქმიანობა, აგრეთვე მათ მიერ განხორციელებული რამდენიმე ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტი, რომლებიც მიმართული იყო კულტურული თვითშეგნების აღზრდისა და ინტერკულტურული დიალოგის ხელშეწყობისაკენ.

2. საბჭოთა დრო პოსტსაბჭოთა მეხსიერებაში: როგორ კონსტრუირდებოდა ახალი მეხსიერება საქართველოში

საბჭოთა კავშირის დაშლით გამოწვეულ რეჟიმის ცვლილებას თან ახლდა ცვლილებები მეხსიერების პოლიტიკაში. ნაშრომში განხილულია საქართველოში საბჭოთა წარსულის გაზრებისა და საბჭოთა მეხსიერების დაძლევის პრობლემა; წარმოდგენილია ზოგიერთი ნაბიჯი "ახალი მეხსიერების" ფორმირების გზაზე. კვლევის თეორიული საფუძველია მეხსიერების ადგილების პიერ ნორასეული კონცეფცია. გაანალიზებულია ტექსტური მასალები და ზოგი სხვა *მეხსიერების ადგილი*, სადაც "მეხსიერება კრისტალიზდება და ინახება".

პოსტსაბჭოთა პერიოდში მეხსიერების ტრანსფორმაციის შესწავლისათვის შერჩეულია საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ისტორიის ორი მნიშვნელოვანი მოვლენა: 1) საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში და 2) საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი. ისინი ყველაზე საკამათო და წინააღმდეგობრივ საკითხებად იქცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ამდენად, ისინი მკაფიოდ ასახავენ საბჭოთა მეხსიერების დაძლევისა და წარსულის ახალი სახის შემქნისაკენ მიმართულ ნაბიჯებს. აღნიშნულ პროცესთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ასევე საბჭოთა სიმბოლიკასთან დამოკიდებულების საკითხი.

"ახალი მეხსიერება" "ახალ წარსულს" ემყარება. მისი კონსტრუირება საბჭ თა კავშირის უკანასკნელ წლებში დაიწყო და ორი ძირითადი ეტაპი გაიარა: მეხსიერების ძველი ადგილების დეკონსტრუქცია პირველი ეტაპის (1990-იანი წლები) ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია, მეორე საფეხურზე კი (2003 წლიდან) აქცენტი გადადის მეხსიერების ახალი ადგილების შექმნაზე.

3. მეხსიერების კონსტრუირება პოსტსაბჭოთა საქართველოში: „ახალი წარსული" ახალი მომავლისთვის

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მეხსიერების პოლიტიკა მნიშვნელოვნად

შეიცვალა. ნაშრომში განხილულია საბჭოთა წარსულის ხელახალი გააზრების მცდელობა პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოში და ახალი მეხსიერების ფორმირებისაკენ მიმართული კონკრეტული ნაბიჯები. ნაშრომის თეორიული საფუძველია პიერ ნორას კონცეფცია მეხსიერების ადგილების შესახებ და ევიათარ ზერუბაველის "დროის რუკების" იდეა.

ახალი მეხსიერების შექმნა, რომელიც ახალი მომავლის საფუძველი უნდა გამხდარიყო, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში დაიწყო. 1990-იან წლებში იგი მეხსიერების ძველი ადგილების დეკონსტრუქციის ფორმით მიმდინარეობდა, შემდგომ პერიოდში კი მთავარ ამოცანად მეხსიერების ახალი ადგილების შექმნა იქცა.

2008 წლის აგვისტოს ომმა ახალი ბიძგი მისცა მეხსიერების ახალი ადგილების შექმნას, რომელთა დეკლარირებული მიზანი ომის მსხვერპლთა ხსოვნის უკვდავყოფა იყო. თუმცა ისინი გაცილებით უფრო ღრმა აზრით დაიტვირთა; გაიდო ერთგვარი "ხიდი" საბჭოთა წარსულის მტკივნეულ მოვლენებსა და თანამედროვეობას შორის. მეხსიერების სპეციფიკურ ადგილებს შეადგენს აგვისტოს ომის შედეგად დევნილთა დასახლებები კონფლიქტის ზონასთან ახლოს, რომლებიც ასახავს ტრავმის დაძლევისაკენ მიმართული ხერხების გამოყენების მცდელობას.

4. ვინ არის „სხვა"? იდენტობის კონსტრუირება საისტორიო განათლების მეშვეობით პოსტსაბჭოთა საქართველოში

ნაშრომი ეხება იდენტობის კონსტრუირების რთულ პროცესს პოსტსაბჭოთა საქართველოში. კვლევა ემყარება ისტორიის სწავლების პრინციპების ანალიზს და პოლიტიკური რეალიების შესწავლას, რომლებიც ისტორიის სწავლების პრონციპების განსაზღვრაზე არსებით გავლენას ახდენდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის თვითიდენტიფიკაცია მრავალეთნიკური საქართველოს ერთ-ერთ მთავარ პრობლემად იქცა. ახლად დამოუკიდებლობა მოპოვებული ქვეყნის პოლიტიკური ელიტა ნაკლებად მომზადებული აღმოჩნდა ამ გამოწვევაზე პასუხის მოძებნისათვის. თავი იჩინა წინააღმდეგობრივმა დამოკიდებულებამ "სხვისადმი" – საქართველოს ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობისადმი. ერთი მხრივ, ხაზგასმით აღინიშნებოდა ეთნიკურ უმცირესობათა უფლებათა დაცვის აუცილებლობა, მეორე მხრივ, დროდადრო საუბრობდნენ სატიტულო ნაციის საგანგებო უფლებებზე. განსხვავებები ნეგატიურად კონსტრუირდებოდა – როგორც მათი გამორიცხვა და მარგინალიზაცია, ვინც "სხვად" ან "უცხოდ" მიიჩნეოდა. სისხლიან კონფლიქტებს, რომლებიც ერტმანეთის მიყოლებით აღმოცენდა 1990-იანი წლების დასაწყისში, ახლდა და, ზოგჯერ, წინ უსწრებდა "ისტორიკოსთა ომები", რომლებიც ისტორიის სახელმძრვანელოებში აისახებოდა.

1990-იანი წლების ბოლოდან გაცნობიერდა კონფლიქტური მეხსიერების დაძლევისა და საერთო ეროვნული იდენტობის ფორმირების აუცილებლობა, ეთნიკური, კულტურული და რელიგიური მიკუთვნებულობის მიუხედავად. კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა "სხვის" იმიჯის გადახედვისა და შერბილების გზით, რომელიც ხშირად მტრის სახით იყო წარმოდგენილი. ცვლილება შეეხო დამოკიდებულებას საისტორიო განათლებისადმი. სასკოლო სახელმძღვანელოებმა ასახა პოლიტიკურ დისკურსში აქტიურად გამოყენებული "მარავალეთნიკური ქართველი ერის" ცნება.

"სხვის" როგორც "ისტორიული მტრის" იმიჯი კვლავ გამოაცოცხლა 2008 წლის აგვისტოს ომმა. რუსული კოლონიზაციის და საქართველოს ოკუპაციის თემები აქტუალური გახდა როგორც პოლიტიკურ, ასევე საგანმანათლებლო სფეროში. უკანასკნელ წლებში პოლიტიკურ ცვლილებებს კვლავ მოყვა ცვლილება "სხვის"

სახის განსაზღვრის თვალსაზრისით.

5. იდენტობის (რე)კონსტრუირება საისტორიო განათლების მეშვეობით (საქართველოს მაგალითი)

ნაშრომში განხილულია იდენტობის კონსტრუირების პრობლემა საქართველოში პოსტსაბჭოთა პერიოდში, როცა "ჩვენ" და "სხვა" ჯგუფების განსაზღვრის პრობლემამ განსაკუთრებული აქტუალურობა შეიძინა. მოხსენებაში გაანალიზებულია რამდენიმე საგანმანათლებლო პროექტი, რომლებიც განხორციელდა საქართველოში და მიმართული იყო მულტიკულტურული კომპეტენციების განვითარებისაკენ.

6. იმპერიული გამოწვევები და ადგილობრივი პასუხები: საქართველო 1860-1917 წლებში

ნაშრომის მიზანია საქართველოს 1860-1917 წლების საქართველოს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ვითარების გაანალიზება, რომელმაც შექმნა ერთგვარი ჩარჩო ქართველთა და საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების, მათ შორის, ებრაელთა იდენტობის ჩამოყალიბებისათვის.

მას შემდეგ, რაც დასრულდა ახალ პოლიტიკურ და კულტურულ რეალობასთან ადაპტაციის პროცესი, იდენტობის განსაზღვრა აქტუალურ და მნიშვნელოვან ამოცანად იქცა. საჭირო იყო მკაფიო პასუხის გაცემა კითხვებზე: ვინ ვართ ჩვენ – ქართველები? ვინ არიან *სხვები*? როგორ კონსტრუირდება ან წარმოისახება საზღვრები შიგა და გარე ჯგუფებს შორის? ქართული იდენტობის მაფორმირებელ ნარატივთან ერთად და მის გვერდით, ამ დროს იქმნებოდა საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნიკური ჯგუფების ნარატივებიც.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	„სომხეთ-საქართველოს თანამშრომლობის სტრატეგია მეცნიერთა და სტუდენტთა ჩართულობის გზით“ (ანთროპოლოგია, კულტურისა და ცივილიზაციის კვლევები)	პროფესორი დავით ჰოვანესიანი	სომხეთის ეთნოლოგიური კვლევის ცენტრი „ჰაზარაშენი“, ცივილიზაციათა და კულტურის კვლევის ცენტრი (ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი), საქართველოს ანთროპოლოგთა ასოციაცია, კულტურის კვლევათა ინსტიტუტი (ივ.ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	ჰაინრიხ ბიოლის ფონდის კავკასიის ბიურო
2	„მულტიკულტურული განათლებისა და კულტურული მრავალფეროვნების სატრენინგო კურიკულუმის რეფორმის საერთაშორისო მოდელის შემუშავება“ (კულტურის კვლევები, განათლების მეცნიერებები)	ასოც. პროფ. რონდა სოფერი (ჰაიფა, ისრაელი)	თსუ კულტურის კვლევათა ინსტიტუტიდან – პროფ. ნინო ჩიქოვანი და ასოც. პროფ. ქეთევან კაკიტელაშვილი	TEMPUS
3	„ჩემი - შენი - ჩვენი“: ლოკალური ავთენტურობა და კულტურული მრავალფეროვნება როგორც ხიდი შერიგებისათვის სამხრეთ კავკასიაში“	ევა მარია აუხი (ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი), ალი აბასოვი (აზერბაიჯანის მეცნ. აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტი, გიორგი ვანიანი (ასოციაცია “თექალი”), ნინო ჩიქოვანი (თსუ)	საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, გერმანიის სასწავლო, სამეცნიერო და არასამთავრობო ინსტიტუტების წარმომადგენლები	DAAD

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)
1. **თეორიული შედეგები:** ქართველ და სომეხთა სტუდენტთა ჯგუფმა, რომელიც ერთ-ერთი იყო პროექტის ფარგლებში მომუშავე ოთხი ჯგუფიდან და რომლის მუშაობასაც მე ვხელმძღვანელობდი, წარმატებით დაასრულა მუშაობა საკვლევ საკითხებზე. ოთხიდან სამი ნაშრომი შეირჩა გამოსაქვეყნებლად. ორმა სტუდენტმა (ერევნის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტებიდან) მოიპოვა ერთთვიანი გაცვლითი სტიპენდია და ეს დრო დაუთმო კვლევით საქმიანობას, შესაბამისად, თბილისსა და ერევანში. **პრაქტიკული შედეგები:** პროექტმა საფუძველი ჩაუყარა ქართველ და სომეხ სტუდენტთა თანამშრომლობას, რომელიც, იმედია, მომავალში გაგრძელდება; ისინი გაეცნენ პარტნიორთა სასწავლო და კვლევით გამოცდილებას. ჩვენი აზრით, არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა პირად კონტაქტებს ახალგაზრდებს შორის.
2. **თეორიული შედეგები**: პროექტის ფარგლებში ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციებსა და სემინარებზე ხდებოდა კვლევის შედეგების ურთიერთგაზიარება, კვლევის ახალ მიმართულებათა და შესაძლებლობების განხილვა. **პრაქტიული შედეგები**: პროექტში ჩართული კულტურის კვლევათა ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ შემუშავდა ორი სასწავლო კურსი: *იდენტობის ფორმირება მულტიკულტურულ გარემოში* და *მრავალეთნიკური და მრავალკულტურული საქართველო*; ჩატარდა რამდენიმე ტრენინგი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგებისათვის.
3. **თეორიული შედეგები:** სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე, რომელიც პროექტის ფარგლებში ჩატარდა თბილისში, მონაწილეებმა წარმოადგინეს და შეაჯამეს კვლევის შედეგები. **პრაქტიული შედეგები**: როგორც გამოცდილ, ასევე ახალგაზრდა მკვლევრებს საშუალება მიეცათ, გაეაზრებინათ არსებული პრობლემები და დაესახათ შემდგომი თანამშრომლობის პერსპექტივები. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის უნივერსიტეტების სტუდენტები.

IV. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	„ებრაული იდენტობა საქართველოში გლობალიზაციის გარიჟრაჟზე” (იდენტობის კვლევები)	პროფესორი ელიზაბეტ ჰოლენდერი (გოეთეს უნივერსიტეტი მაინის ფრანკფურტში)	ნინო ჩიქოვანი, ქეთევან კაკიტელაშვილი, ირაკლი ჩხაიძე (თსუ), საქართველოს, გერმანიისა და ისრაელის უნივერსიტეტები	ფოლკსვაგენის ფონდი, გოეთეს უნივერსიტეტი მაინის ფრანკფურტში

			ს წარმომადგენლებთან ერთად	
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				
დასრულების ეტაპზეა დასახელებული ჯგუფის სამუშაო, კერძოდ, შესწავლილია საკვლევ პერიოდში საქართველოში ებრაული იდენტობის ფორმირების პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული კონტექსტი; გამოვლენილი, კლასიფიცირებული და გაანალიზებულია ებრაული იდენტობის მშენებელი ნარატივები.				

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

2015 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში

თბილისი

* ხელოვნების ისტორიის და თეორიის ინსტიტუტი
* ხელმძღვანელი: პროფესორი ზაზა სხირტლაძე
* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა

ასოცირებული პროფესორები: ირინა კოშორიძე
ირინა მირიჯანაშვილი
ნინო სილაგაძე
მაია ციციშვილი
ნათელა ჯაბუა

ასისტენტ პროფესორი ანა შანშიაშვილი

I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

I. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულე-	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

	ბის მითითებით				
1	შუა საუკუნეების ქართული მწიგნობრობა ქრისტიანული აღმოსავლეთსა და ბიზანტიაში (ქართულ და ინგლისურენოვანი გამოცემების მომზადება 2014–2016 წწ.	რუსთაველის სამეცნიერო ფონდი		თამარ ოთხმეზური	მონაწილე - ზაზა სხირტლაძე
2	საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი-კოლონიალური პოლიტიკიდან ეროვნულ მუზეუმამდე 2015.02.01-2015.06.15	რუსთაველის სამეცნიერო ფონდი		ირინა კოშორიძე	
3	ტაო-კლარჯეთის ქართული ციხე-სიმაგრეები 2013-2016 წწ.	რუსთაველის სამეცნიერო ფონდი			მონაწილე-ნინო სილაგაძე
4	ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი ტ. I (დმანისის რაიონი) 2015-2018 წწ.	რუსთაველის სამეცნიერო ფონდი		გიორგი ოთხმეზური დოქტორი	მონაწილე- ირინა მირიჯანაშვილი

დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

2. პროექტის მიზანია მუზეუმის ექსპონატების სამეცნიერო კვლევა, საარქივო მასალების სრული დამუშავება, იდენტიფიკაცია და მათი სამეცნიერო მიმოქცევაში ჩართვა, იმ ზოგადი მსოფლიო კულტურულ-პოლიტიკური და მხატვრული ტენდენციების შესწავლა, რომელთა გავლენითაც შეიქმნა თავდაპირველად კავკასიის კუსტარული კომიტეტი და რომელთა საქმიანობაც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ვითარდებოდა. კვლევის პერიოდში

მოხდება კომიტეტისა და მუზეუმის ფუნქციონირებისა და განვითარების სხვადასხვა ეტაპების კვლევა, ზოგადი მხატვრული ტენდენციების გამოვლენა და მუზეუმის განვითარების ზოგადი სურათის ჩვენება რაც მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება მუზეუმმცოდნეობის, ხელოვნების ისტორიის, ისტორიის, ეთნოლოგიის, წყაროთმცოდნეობის სფეროში მომუშავე მეცნიერთათვის, რაგანაც ეს მუზეუმი კავკასიის მუზეუმსა და აბრეშუმის მუზეუმთან ერთად ერთ-ერთი უძველესი სამუზეუმო დაწესებულებაა საქართველოში.

3. პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს ისტორიული ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე არსებული შუა საუკუნეების ქართული საფორტიფიკაციო არქიტექტურის ნიმუშების სამეცნიერო კვლევა, აზომვა, ფოტოფიქსაცია. უკვე შედგა 4 ექსპედიაცია, რომელთა ფარგლებში მოხდა 100-ზე მეტი ობიექტის კომპელექსური შესწავლა.

I. 4.

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	შალვა ქიქოძის 120 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ალბომი	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	მაია ციციშვილი	
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

II. 1. პუბლიკაციები:
ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მაია ციციშვილი	შალვა ქიქოძე	თბილისი, „ფავორიტი სტილი“,	164 გვ.
2				
3				

ანოტაციები ქართულ ენაზე

ალბომი ეძღვნება XX საუკუნის 10-20-იანი წლების ქართული მოდერნისტული მხატვრობის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელის შალვა ქიქოძის საიუბილეო თარიღს. გაანალიზებულია ძირითადად პარიზში, წელიწადნახევრის განმავლობაში შექმნილი მისი ფერწერული ნამუშევრები. დაჯგუფებული და განხილულია სხვადასხვა თემების: პარიზული ხედების, ნოსტალგიური საქართველოს, ავტოპორტრეტების, პარიზული კაფეების, მეგობრებთან დროსტარების და სხვ. ამსახველი სურათები. მხატვრის ფერწერული ნაწარმოებები შედარებულია თანადროული ქართული და ევროპული მხატვრობის ნიმუშებთან და გამოკვეთილია მხატვრის როლი და

მნიშვნელობა ქართულ ხელოვნებაში.

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ზ. სხირტლაძე	გარეჯის მრავალმთის მონასტერთა გამოსახულებები წმ. დავითის ლავრაში, ჟურნალი „ალავერდი“	№5		გვ. 85-94
2	ზ. სხირტლაძე ზ. გურჯიძე	ახალციხის წმ. ჯვრის ეკლესიის ისტორიისთვის, ჟურნალი „ძველი	№6		გვ. 23-29

3	ნ. სილაგაძე	ხელოვნება დღეს“ მხატვრული ფორმა ქვემო ქართლის საფასადო ქანდაკებაში: რელიეფი თეთრიწყაროდან	მხატვრული ფორმა: ეპოქები და ტენდენციები. კრებული. ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტი, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტი, პირველი წლიური სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებები	თსუ გამომცემლობა	გვ. 29-49
4	ნ. ჯაბუა	მე-19-20-ე საუკუნების საქართველოს ხუროთმოძღვრების ტენდენციები - ისტორიულ-კულტურული ასპექტები	მხატვრული ფორმა: ეპოქები და ტენდენციები. კრებული. ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტი, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტი, პირველი წლიური სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებები	თსუ გამომცემლობა	გვ.151-170
5	მ. ციციშვილი	შალვა ქიქოძის შემოქმედება	„კულტურა პლუს“ (კულტურის სამინისტროს საგანმანათლებლო-საზოგადოებრივი ჟურნალი)	თბილისი, შპს „სეზანი“,	გვ. 46-56

ანოტაციები

1.სერიის ფარგლებში „ეკლესია–მონასტერთა გამოსახულებები ძველ ქართულ ხელოვნებაში“ ქვეყნდება გარეჯის სამი მონასტრის გამოსახულებები, რომლებიც

შესრულებული იყო გარეჯის მრავალმთის წმ. დავითის ლავრის ერთ–ერთ გამოქვაბულ სათავსში.

2.ახალციხის რაბათის ტერიტორიაზე 1960–იან წლებშ ნაპოვნი იქნა ქვა რელიეფუსი საქტიტორო გამოსხულებით. ფ. დიუბუა დე მონპერეს ნაშრომს (1840 წ.) დართულ ალბომში ჩართული გრავიურის მიხედვით, რელიეფი ეკუთვნოდა წმ. ჯვრის ეკლესიას, რომელიც X საუკუნის მეორე ნახევარში უნდა აეგოთ. შემდგომში ეკლესია რამდენჯერმე იქნა აღედგინათ და განეახლებინათ.

3. ნ. სილაგაძის სტატიაში წარმოდგენილია უცნობი რელიეფი თეთრიწყაროს რაიონიდან, რომელიც ჩართულია ფრაგმენტის სახით თანამედროვე დაუსრულებელ საეკლესიო ნაგებობაში. რელიეფის გარდა, ამავე ნაგებობაში ჩართულია ძველი ეკლესიის საძირკვლის ფრაგმენტებიც. ნაშრომში მოცემულია რელიეფური კოპოზიციის ასქემის ღდგენის, მისი იკონოგარფიული ანალიზის და დათარიღების მცდელობა.

4. ნ.ჯაბუას სტატია ეხება მეცხრამეტე-მეოცე საუკუნის საქართველოს არქიტექტურაში მიმდინარე პროცესებს, გარე სამყაროსთან კომუნიკაციის შესაძლებლობების გავლენის შედეგებს, სტილთა ეკლექტიზმის, ფუნქციისა და მხატვრული ფორმის ურთიერთკავშირის პრობლემატიკის საკითხებს.

5. მ.ციციშვილის სტატიაში, რომელიც შალვა ქიქოძის დაბადებიდის 120 წლისთავისადმია მიძღვნილი, მოთხრობილია მხატვრის ხანმოკლე ცხოვრებაზე და გაანალიზებულია მისი მთელი შემოქმედება: ფერწერული ნაწარმოებები, წიგნის ილუსტრაციები, ქართველ და რუს საზოგადო მოღვაწეთა შარჟები, პოლიტიკური კარიკატურები, თეატრის მხატვრობის ესკიზები და სხვ.

II. 2. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				

ანოტაციები ქართულ ენაზე

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
2					
3					
ანოტაციები ქართულ ენაზე					

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ირინა კოშორიძე	აღმოსავლურ-დასავლური დივანი:მუშტაიდის სასახლის დეკორი	30.09-3.10.2015 კემბრიჯისა და ილიას უნივერსიტეტების ერთობლივი კონფერენცია.
2	ირინა კოშორიძე	ძველი მუზეუმების ახალი გამოწვევები-საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, კოლექციები, ინტერპრეტაცია და რებრენდინგი XXI საუკუნეში	7-10.11.2015 თბილისი ICOM სამუზეუმო კომიტეტის კონფერნეცია „პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების მუზეუმების პრობლემები და განვითარების პერსპექტივები“
3	ნათელა ჯაბუა	საკულტო არქიტექტურის	2015. 13.10. თსუ

		როლი 19-ე საუკუნის თბილისის ურბანულ განაშენიანებაში	ს.კლდიაშვილის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია:მე-19-20-ე საუკუნეების ქართული არქიტექტურა და თანამედროვე გამოწვევები
4.	ირინა მირიჯანაშვილი	სვიმონ კლდიაშვილის ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობა და თანამედროვე გამოწვევები	2015. 13.10. თსუ ს.კლდიაშვილის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია:მე-19-20-ე საუკუნეების ქართული არქიტექტურა და თანამედროვე გამოწვევები
5.	ანა შანშიაშვილი	XIX საუკუნის ვერცხლის ჭურჭელი: იკონოგაფია და სტილი ირანსა და რუსეთს შორის	საერთაშორისო კონფერენცია "დიპლომატია, ხელოვნება, ლიტერატურა და იმპერია:დიდი თამაში საქართველოსა და ირანში", გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი/ილიას უნივერსიტეტი, თბილისი, 2015
5.	ანა შანშიაშვილი	ტრადიციული რეწვა - რესურსი მუზეუმების განვითარებისთვის	II სამეცნიერო კონფერენცია "მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა", გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი

1. ირ. კოშორიძის მოხსენება შეეხო თბილისის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარული და ლეგენდარული ადგილის მუშტაიდის ბაღისა და მისი დამაარსებლის ირანელი პოლიტიკური და სასულიერო მოღვაწის მიერ აგებული სასახლის დეკორს, რომელიც ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმშია დაცული.

2. ირ.კოშორიძის მოხსნება ეხება საქართველოს ხალხური და გამოყენებითიხ

ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის უახლეს ისტორიას, მისი მართვის ახალ სტრატეგიას, მიზნებს, კოლექციებისა და თავად მუზეუმის ისტორიას.

3. ნ.ჯაბუას მოხსენება ეხება საკულტო არქიტექტურის ნიმუშების როლის წარმოჩენას მეცხრამეტე საუკუნის თბილისის განაშენიანებაში, რელიგიური და კონფესიური მრავალგვარობის მნიშვნელობას ქალაქის ურბანული მრავალფეროვნების ფორმირებაში.

4. ირ. მირიჯანაშვილის მოხსენებაში განხილულია კობის 9-ში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი და მის გარშემო არსებული ინფრასტრუქტურა.

5. ა. შანშიაშვილის მოხსენება ეხება XIX საუკუნეში საქართველოში ვერცხლის ნაკეთობათა მორთვის სპეციფიკური სისტემის გავრცელებას. თბილისური კულტურის მრავალფეროვნების გავლენას მხატვრული ფორმების ჩამოყალიბებაზე. სტატიაში განხილულია 1881 წლით დათარიღებული ვერცხლის თასი კერძო კოლექციიდან, რომელზეც წარმოდგენილია რუსეთის იმპერატორთა პორტრეტები. ამასთან თასზე მოცემული ორნამენტული მოტივები, ისევე როგორც ფიგურათა გამომყოფი პროფილირებული ჩარჩოები, ე.წ. კარტუშები აღმოსავლური, კერძოდ ირანული ლითონის მხატვრული დამუშავების უდავო გავლენაზე მეტყველებს. სტატიაში მოცემულია აღნიშნული თასის სტილური და იკონოგრაფიული ანალიზი, რაც ირანისა და რუსეთის შორის პოლიტიკური და კულტურული ჰეგემონიისთვის ბრძოლის შედეგად წარმოქმნილი მხატვრულ სახეების საინტერესო სინთეზს გვიჩვენებს.

6. ა. შანშიაშვილის მოხსენება ეხება საქართველოში ტრადიციული რეწვის დარგების მრავალფეროვნების წარმოჩენის საკითხებს, რაც რეგიონალური მუზეუმების განვითარების უმნიშვნელოვანესს რესურსს ქმნის. მოხსენებაში განხილულია 2012 წელს ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის მიერ ჩატარებული კომპლექსური კვლევის შედეგები და განვითარების პერსპექტივები.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ზაზა სხირტლაძე	Donor Images in Medieval Georgia	ოქსფორდი, 2015 წ. ივნისი
2	ირინა კოშორიძე	Conservation, Reconstruction or Rebuilding, Some Issues on the Cultural Heritage Policy in Georgia- The architectural complex of Rabati in Akhaltsikhe (Georgia)	31.05.2015 RCAC-Research center of Anatolian Civilisations symposium. Istanbul. Koc University
3	ირინა კოშორიძე	Collectors and Museums- Alexandre Roinashvili(Roinov) and his collection”	22-23. 10. 2015 ბერლინი - “Wie die islamische Kunst nach Berlin kam”

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1. ზ. სხირტლაძის მოხსენებაში წარმოდგენილი იყო შუა საუკუნეების ქართულ

12	მარინე ივანიშვილი რუსუდან ასათიანი	დამწერლობის ისტორიული განვითარების ასახვა იაკობ გოგებაშვილის „დედაენაში“ *იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია*	27 ოქტომბერი, 2015, თბილისი, თსუ,

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

10. ნასესხებ მცენარეთა სახელების უმრავლესობა საქართველოსთვის არაენდემური სახეობაა: *ალო, ჰალო* (ებრ.), *მანანა* (ებრ.), *ნარდ-* (*ლარდ-*) (ებრაული წარმოშობის, ბერძნულის გზით შემოსული ძირი), *პიტნა* (სპარს. ბერძნ.), *ტეგან-* (ბერძნ.), *უსუპ-* (ბერძნ.), *ქრთილ-* (ბერძნ.?), *შროშან-* (ებრ.),*ცერეცო* (ქართ.?; *ანისულ-* ბერძნ., *კამა* - ებრ.), *ძირაკ-* (სპარს.).*ქრთ-ილ-* და *ძირ-აკ-* ფუძეებს აშკარად ქართული სუფიქსური დაბოლოება აქვთ.
ასევე არაენდემური სახეობების აღმნიშვნელია კიდევ ორი, რთული, შედგენილი სახელი: *დანაკის კუდი* (ქართულ ნიადაგზე ნაწარმოები სახელი) და *ზეთისხილი.* ამ უკანასკნელის პირველი ფუძე არაბული წარმოშობისაა.

11. ბურუსით მოცული კომპოზიტების - „ლელუსულელი“ || „ლელუცუბრი“ - მნიშვნელობები, რომლებსაც საუკუნეების მანძილზე „შეცდომაში შეჰყავდათ“ მთარგმნელები, რედაქტორები, გადამწერები, ერთი და იმავე მცენარის (Ficus Sycomorus L) აღმნიშვნელი სახელებია. ამათგან „*ცუბრი*“ არქაული სინონიმია „სულელი“-სა, რომელიც შემონახულია „*ლელუცუბრ*“ კომპოზიტში, თუმცა ცალკე არ გვხვდება (შდრ. ცუბრება, შეცუბრება, განცუბრება, განცუბრებული).

12. „დედაენის“ შემქმნელი, იაკობ გოგებაშვილი, გასაოცარი ინტუიციის წყალობით მიჰყვება წერითი სისტემათა ცვლილებების ეტაპებს; კერძოდ, წერა-კითხვის სწავლის საწყის ეტაპზე, იაკობ გოგებაშვილი ყმაწვილებს თავდაპირველად სთავაზობს ნიშნის იკონურ გამოსახულებას, ნახატს; შემდეგ იძლევა ერთიანად დაწერილ სიტყვას; ამის შემდეგ მოცემულია სილაბური წაკითხვა; ამ ეტაპზე ბავშვებში თავს იჩენს ე.წ. სილაბურ-კონსონანტური კითხვის პრინციპი; და ბოლოს, იძლევა ნიშნის ბგერით დონეზე დიფერენცირებას, რაც გრაფიკულად გამოცალკევებული ასო-ნიშნებით მიეწოდება მოწაფეებს.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
13	ივანე ლეჟავა	სიბილანტები და „ორფოკუსიანობა“ *გ. ახვლედიანის დაბადებიდან 128-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საჯარო სხდომა*	2 ივნისი, 2015, თბილისი, თსუ

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

13. არსებობს მოსაზრება, რომ შესაძლებელია შიშინა თანხმოვნების ორფოკუსიანი წარმოება. ასეთი თანხმოვნების არტიკულაციის თავისებურება ის არის, რომ მათი წარმოთქმის დროს ნაპრალი წარმოიქმნება არამარტო წინა ენის აწევით, არამედ შუა და უკანა ენის ნაწილების აწევითაც. ამდენად, ორივე შესაძლო ნაპრალის ერთგვარი შერწყმით ხდება ნაპრალის ზომის გადიდება და ამის საფუძველზე ხახუნის ჩქამის – „შიშინის“ გაძლიერება.

პალატოგრაფიული და რენტგენოგრაფიული მეთოდების გამოყენებით მიღებული შედეგების საფუძველზე გაკეთებული დასკვნები სიბილანტი ნაპრალოვნების ბუნების თაობაზე სავსებით შეესაბამება სპექტრული ანალიზის მონაცემებს და ე.წ. „მეორე ჩქამწარმომქნელი ფოკუსი“ სიბილანტთა არტიკულაციის მხოლოდ ერთ-ერთ მოდიფიკაციად შეიძლება განიხილებოდეს. პალატოგრაფიული და რენტგენოგრაფიული მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია სიბილანტი ნაპრალოვნების განმასხვავებელი ძირითადი საარტიკულაციო ნიშნების ჩამოყალიბება: საარტიკულაციო ნაპრალის ზომა, არტიკულაციის წერტილის წინამდებარე სარეზონანსო არის მოცულობა, ენის წვერის მდგომარეობა ქვედა საჭრელი კბილების და ნუნების მიმართ, ბაგეების მონაწილეობა.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
14	ეთერ სოსელია	თანხმოვანთა ფონოტაქტიკა ორწევრა კომპლექსების მიხედვით ქართულში *გ. ახვლედიანის დაბადებიდან 128-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საჯარო სხდომა*	2 ივნისი, 2015, თბილისი, თსუ
15	ეთერ სოსელია	თანხმოვანთა ფონოტაქტიკა თანამედროვე ქართულში: თავკიდური ორწევრა კომპლექსები *საერთაშორისო კონგრესი - ქართველოლოგიის პრობლემები და პერსპექტივები*	2015, 11-14 ნოემბერი, თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

15. მოხსენებაში გაანალიზებულია ორწევრა კომპლექსები (როგორც თავკიური, ისე ბოლოკიური); გამოყოფილია სტრუქტურული ტიპები კომპლექსების მეორე წევრის მიხედვით (იმის გათვალისწინებით, რომ ქართული ინტროვერტული ტიპის ენაა); ხაზგასმულია სონორ თანხმოვანთა განსაკუთრებული როლი ორწევრა კომპლექსებში.

16. უპირველესად, მოხსენებაში გაანალიზებულია ის დიაქრონიული საფუძველი, რამაც განაპირობა ქართულ თანხმოვანთკომპლექსთა დიდი მრავალფეროვნება თანამედროვე ქართულში; ასევე, შემოთავაზებულია კომპლექსთა ამ მრავალფეროვნების აღწერის ორიგიალური მოდელი და აღნიშნული მოდელის საფუძველზე გაანალიზებულია ორწევრა თავკიდური თანხმოვანთკომპლექსების სტრუქტურა.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
17	ნინო შენგელაია	უძველესი საერთო-ქართველური დამწერლობების სისტემის შესახებ *საერთაშორისო კონგრესი – ქართველოლოგიის პრობლემები და პერსპექტივები*	11-14 ნოემბერი, 2015, თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

17. მოხსენებაში წარმოდენილია A ხაზოვანი დამწერლობის მახასიათებლები და მისი მოკლე შედარება ფესტოსის დისკოს დამწერლობასთან. განხილულია: შესაბამისი პერიოდის ისტორიულ-კულტურული ვითარება; დამწერლობის სახეები; უძველეს დამწერლობათა დეშიფრირების პრობლემები; ფესტოს დისკოს წარწერების წაკითხვის მიმართულების პრობლემა; ფესტოს დისკოს დამწერლობის მნიშვნელობა ზოგადად დამწერლობის განვითარების ისტორიისათვის; დახასიათებულია გ. კვაშილავას მიერ შექმნილი ალგორითმი ფესტოს დისკოს წარწერების დეშიფრირებისათვის.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	რუსუდან ასათიანი	The Algorithm Defining the Appearance of Active-Passive Formal Models in Georgian, *TICCSMA*	21-23 მარტი, 2015, თბილისი
2	რუსუდან ასათიანი	The Reorganization of TAM Categories in Georgian: The Medieval Georgian data, *50th international congress on medieval studies*	14-17 მაისი, 2015, კალამაზუ, აშშ
3	რუსუდან ასათიანი, *ნათია დუნდუა*	The Main Devices of Foregrounding in the Information Structure of Modern Persian Sentences, *8th Conference of Iranian Studies of the Societas Iranologica Europaea (SIE)*	15-19 სექტემბერი, 2015, სანქტ-პეტერბურგი
4	რუსუდან ასათიანი	The Kartvelian Linguistic Space: The Georgian, Megrelian, Laz and Svan Languages or Dialects? *ASEEES Convention Meeting*	19-23 ნოემბერი, ფილადელფია, აშშ

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1. ქართულში აქტიური და პასიური ფორმალური მოდელების ცალსახა სემანტიკურ-ფუნქციური კვალიფიკაცია ვერ ხერხდება, რამდენადაც ეს მოდელები ყოველთვის ვერ

ასახავენ აქტივ-პასივის შინაარსობრივ სხვაობას. მოხსენებაში მოცემულია ალგორითმი, რომელიც იერარქიულად დალაგებულ იმპლიკაციურ წესს მოიცავს და ასახავს ზედაპირული რეპრეზენტაციისას ამ მოდელების ცალსახა შერჩევის პროცესს. წესები ემყარება სემანტიკურ ნიშნებს, რომელებიც განსაზღვრავენ ამ იპლიკაციური წესების მოქმედებას. ეს ნიშნებია: 'გარდამავლობა', 'დინამიკურობა', 'ტელიკურობა' და, ასევე, ზმნური ფორმალური კლასების მართვის თვალსაზრისით, ღირებულია დროით-ასპექტური შინაარსის გამომხატველი ნიშანი –'აორისტი'.

2. ქართულში დროის, ასპექტისა და კილოს კატეგორიების ფორმირება იმ სახით, რა სახითაც ის თანამედროვე ქართულში გვხვდება, უკვე შუა საუკუნეებში მიმდინარებს და, მიუხედავად იმისა, რომ ძვ. ქართულში დაფიქსირებული ძირითადი მიმართებები და ოპოზიციები შენარჩუნებულია, გარკვეულ რეორგანიზაციას განიცდის. მოხსენებაში სწორედ ეს სხვაობებია წარმოჩენილი და წარმოდგენილია დინამიკური პროცესის სახით. აღნიშნულია, რომ ენობრივი სტრუქტურების განვითარებისას, გარკვეული კატეგორიების ჩამოყალიბების პროცეში, ძველი გატეგორიები უკვალოდ არ ქრებიან და ენობრივი სტრუქტურების სიღრმისკენ გადაინაცვლებენ.

3. მოხსენებაში გაანალიზებულია თანამედროვე სპარსული ენის წინადადებების საინფორმაციო სტრუქტურა და წარმოდგენილია ფოკუს-ტოპიკის მარკირების სხვადასხვაგვარი მოდელები. ასევე, საინფორმაციო სტრუქტურის თვალსაზრისით, გაანალიზებულია სპარსულში სასვენი ნიშნების ფუნქციები და გამოთქმულია მოსაზრება, რომ „მძიმე" ხშირ შემთხვევაში წინადადების ინფორმაციულად დაწინაურებული სახელის, ტოპიკის ან ფოკუსის, გამოსაყოფად გამოიყენება.

4. მოხსენებაში განხილულია ენისა და დიალექტის განსაზღვრებასთან დაკავშირებული ზოგადთეორიული და მეთოდოლოგიური საკითხები. გახაზულია აუცილებლობა დეფინიციისას ლინგვისტური და სოციოლინგვისტური დეფინიციების გამიჯვნისა და შედეგად ზოგიერთ შემთხვევაში კონტრადიქტორული დეფინიციების კომპლემენტარული გადააზრება. ასევე, დიალექტთა „ტალღური თეორიის" ფარგლებში, წარმოჩენილია ზანური ერთობის დამამტკიცებელი არგუმენტები, თუმცა, ისიც წარმოჩენილია, რომ სტრუქტურალისტური მიდგომით, ამგვარ ერთობაზე საუბარი რთულდება, რამდენადაც ლაზურისა და მეგრულის ენობრივი სტრუქტურები, მართალია იზომორფულ, მაგრამ ხშირ შემთხვევაში განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებენ.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
5	თინათინ ბოლქვაძე	Main Sociolinguistic Trends in the Eurasian Theory, *Association for Slavic, East European and Eurasian Studies, aseees, 47th Annual Convention*	19-22 ნოემბერი, 2015, ფილადელფია, აშშ
6	თინათინ ბოლქვაძე	Kinship and Affinity of Languages, *SOCIO-INT15- 2nd International Conference on Education, Social Sciences and Humanites*	8-10 ივლისი, 2015, სტამბული, თურქეთი

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

5. მოხსენებაში „ევრაზიულობის თეორიის მთავარი სოციოლინგვისტური მიმართულებები“ – განხილულია როგორ წარმოედგინათ საბჭოთა კავშირი, როგორც სოციალურ წანამძღვრებზე დაფუძნებული სახელმწიფო ნაციონალური სუბსტრატის მქონე სახელმწიფოდ, რომლის სახელიც იქნებოდა ევრაზია, მის მოქალაქეებს ერქმეოდათ ევრაზიელები და თითოეულ მათგანს ექნებოდა ვრაზიული ნაციონალიზმი, რომელიც გამორიცხავდა სეპარატიზმს.

6. მოხსენებაში „ენათა ნათესაობა და მსგავსება“ – ერთმანეთთან არის შედარებული ის მონაცემები, რითაც ენათა მონათესავე ოჯახი განსხვავდება ენათა კავშირისაგან. დაწვრილებით არის გამოკვლეული, როგორ შეიძლება ენათა კავშირის შექმნა და შემდეგ მისი გარდაქმნა ენათა მონათესავე ჯგუფად.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1				
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

IV. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	The impact of current transformational processes on language and ethnic identity: Urum and Pontic Greeks in Georgia (*ენათმეცნიერება, სოციოლინგვისტიკა*)	ბილეფელდის უნივერსიტეტის პროფესორი სტავროს სკოპეტეასი	საქართველოდან: რუსუდან ასათიანი, მარიკა ჯიქია, დოქტორანტი ნუცა წერეთელი, პოსტ-დოქტორანტი სვეტლანა ბერიკაშვილი	გერმანიის სამეცნიერო ფონდი, ბილეფელდის უნივერსიტეტი
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

1. პროექტის ფარგლებში მუშავდება საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ბერძნების (ურუმელებისა და პონტოელი ბერძნების) ენობრივი თავისებურებები და მზადდება ნაშორმი ურუმი ენის მორფოლოგიური სტრუქტურის შესახებ. ამასთანავე, მიმდინარეობს

ამ ეთნიკური ჯგუფის ენობრივი სპეციფიკის სოციოლინგვისტური კვლევა; მათი ეთნიკური იდენტობის განმსაზღვრელი პარამეტრების დადგენა და ენის როლი ამ პროცესში. კვლევის პირველი შედეგები მოხსენების სახით წარდგენილ იქნა ფრანქფურტში საერთაშორისო კონფერენციასა და სამუშაო შეხვედრებზე და დაიბეჭდა ელექტრონული პუბლიკაციების სახით.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის შემსრულებელი	დაფინანსების წყარო (მიზნობრივი დაფინანსება)
2	ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი წარწერების ამოკითხვა საერთო-ქართველურ ენაზე, *მიმართულება: ენათმეცნიერება, საერთო-ქართველური არქეტიპების ფონოლოგიური და მორფოლოგიური რეკონსტრუქცია*	გია კვაშილავა	ღვინის მწარმოებელი კომპანია „მეღვინეობა ხარება“ (საქართველო)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

2. სამეცნიერო კველევაში წარმოდგენილია ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი დამწერლობების ნიშნების გრაფიკული დახასიათება, მნიშვნელობა, ამოკითხვა ტიპოლოგიური პარალელებითა და კომენტარიოთურთ. კველევაში ნაჩვენებია ამოკითული ტექსტების სრული შესაბამისობა საერთო-ქართველური ენობრივი სისტემის სტრუქტურულ მოდელებთან, რომლებიც, შედარებითი და შინაგანი რეკონსტრუქციის გზით, აღადგინეს თ. გამყრელიძემ და გ. მაჭავარიანმა („სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში. საერთო-ქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია“, თბ., 1965). ეს მასალა ითვალისწინებს ქართველურ ენათა მონაცემების განხილვას, ფონეტიკურ-სემანტიკური პარალელების მოძიებას და შედარებას სხვა უძველესი ენების მონაცემებთან.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლონისტიკის ცენტრი

2015 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში

თბილისი

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება
* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი სრული პროფესორი **მარიამ ფილინა**
* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა: სრული პროფესორი **მარიამ ფილინა**

I. 1. <u>საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით</u> 2015 წლისათვის
დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
(ეხება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

I. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1				

დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

I. 4.

2	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

II. 1. პუბლიკაციები:
ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მარიამ ფილინა, დანუტა ოსოვსკა (ოლშტინის უნივერსიტეტი, პოლონეთი)	პოლონელთა ბედი კავკასიაში. ნაწილი I მეორე, გაფართოებული გამოცემა	თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“	355 გვ.
2				
3				

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს 2007 წელს გამოცემული მონოგრაფიის შევსებულ გამოცემას, რომელიც მიეძღვნა კავკასიაში 1830-1840 წლებში პოლონელთა ყველაზე მნიშვნელოვანი ჯგუფის მოღვაწეობასა და შემოქმედებას. ამ ჯგუფის წევრები იყვნენ პოლიტიკური საქმიანობის გამო კავკასიაში გადმოსახლებული ახალგაზრდა მებრძოლები. ნაშრომში ერთ გალერეაშია გაერთიანებული გადმოსახლებული რომანტიკოსების ბიოგრაფიები, ანთოლოგიის სახით ჩართულია „კავკასიელ“ პოეტთა ჯგუფის აქამდე უცნობი ან დავიწყებული ტექსტები, რომლებიც შესწავლილია თანამედროვე ლიტერატურადმცოდნეობის პოზიციიდან. მრავალმხრივი ქართულ-პოლონური ლიტერატურული ურთიერთობების განვითარება იწყება XIX საუკუნის პირველ ნახევარში და წიგნში სწორედ ეს პერიოდია აღწერილი. ამიტომ ნაშრომის პრობლემატიკა ძალზედ აქტუალურია და უაღრესად მნიშვნელოვანია პოლონეთისა და საქართველოს კულტურული კონტაქტების პროცესის კვლევისთვის.

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მარიამ ფილინა - ტექსტის ავტორი და რედაქტორი	საქართველოს „პოლონია“. 1995-2015	თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“	104
2				
3				
კრებულში (სამ ენაზე - პოლონურად, ქართულად და რუსულად) წარმოდგენილია პოლონელთა კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირ „პოლონია“-ს დაარსების ისტორია, 20 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის მიღწევები (1995 წლიდან 2015 წ.). მოკლედ არის წარმოდგენილი უაღრესად მნიშვნელოვანი სამეცნიერო და კულტურული წამოწყებები, მათ რიცხს მიეკუთვნება 9 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია (მიძღვნილი ქართულ-პოლონურ ურთიერთობებისადმი და დიადი პოლონელებისადმი), ჩატარებული ი.ჯავახიშვილის თსუ-თან ერთად. წარმოდგენილია ცნობები პოლონური ენის და კულტურის კურსების შესახებ (რომლებიც ფუნქციონირებენ კავშირის ფარგლებში), პოლონური და ქართული მუსიკის კონცერტების, ფოტოგამფენების შესახებ. მოყვანილია „პოლონიის“ მოღვაწეების მოკლე ბიოგრაფიები, მონაცემები კავშირის პარტნიორების, მეურვეების და პოლონეთის და საქართველოს მეცნიერების და კულტურის მოღვაწეების შესახებ. ჩამოთვლილია კავშირის და მისი ხელმძღვანელის ჯილდოები, და ასევე კავშირის საქმიანობის შეფასებები საქართველოს და პოლონეთის სახელმწიფო მოღვაწეების მხრიდან.				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ-ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მარიამ ფილინა	ქართულ-პოლონური ლიტერატურული		თბილისი, შოთა	19

		ურთიერთობები - დასაწყისიდან თანამედროვეობამდე. კრებული „ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა“		რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	
2	მარიამ ფილინა	ბორის პასტერნაკი საქართველოში. ჟურნალი “ცისკარი”	№ 4	თბილისი, გამომცემლობა «Русский клуб»	10
3	მარიამ ფილინა	«Грузия входит в кровь сразу и навсегда…» (Б. Пастернак и Т. Табидзе). Журнал «Русский клуб»	№ 2	თბილისი, გამომცემლობა «Русский клуб»	7
4	მარიამ ფილინა	Диалог «Поверх барьеров». Журнал «Русский клуб»	№ 5	თბილისი, გამომცემლობა «Русский клуб»	6
5	მარიამ ფილინა	Зодчий отвечает за все. Журнал «Русский клуб»	№ 5	თბილისი, გამომცემლობა «Русский клуб»	7
6	მარიამ ფილინა	Уроки традиций. Альманах «На холмах Грузии»	№ 22	თბილისი, გამომცემლობა რუსულენოვან ჟურნალისტთა ასოციაცია საქართველოში	10

1. მრავალმხრივი ქართულ-პოლონური ლიტერატურული ურთიერთობების განვითარება იწყება XIX საუკუნის პირველ ნახევარში. მტკიცება გეოგრაფიულად ასე დაშორებულ ქვეყნებს შორის ნაყოფიერი კონტაქტების შესახებ არის საყოველთაოდ მიღებული, მაგრამ თვითონ ამ აღმოჩენებისა და განვითარების ტრადიციათა ფენომენი ბოლომდე არ არის შესწავლილი. ქართველი და პოლონელი ხალხის შემოქმედებითი ინტერესების თანხვედრა

დრამატიზმით არის აღსავსე. ლიტერატორთა ურთიერთდაინტერესების აღმოცენებისა და განვითარების ყველაზე თვალსაჩინო პერიოდიდ კი 1830-იან წლებს მიიჩნევენ.

პოლონელთა ყველაზე მნიშვნელოვანი ჯგუფი აქ სწორედ 1830-1840 წლებში იმყოფებოდა. ესენი იყვნენ პოლიტიკური საქმიანობის გამო კავკასიაში გადმოსახლებული ახალგაზრდა მებრძოლეები. ადამიანთა ეს არცთუ მრავალრიცხოვანი ჯგუფი გეოგრაფიულად სულ სხვა სივრცესა და ეთნიკურ სამყაროში აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, პოლონელთა „სასარგებლო მოქმედების კოეფიციენტი“ კავკასიაში, განსაკუთრებით კი საქართველოში, ძალიან მაღალია. გადმოსახლებულმა პოლონელებმა დიდი გავლენა მოახდინეს მეცნიერებისა და კულტურის სხვდასხვა დარგებზე. ასე რომ, მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ თუ რას ნიშნავს კავკასია პოლონეთის ისტორიაში; როგორ მოქმედებს იგი პოლონელთა ბედ-იღბალზე და რა როლს ასრულებდნენ პოლონელები კავკასიაში?

სწორედ მათ შექმნეს საქართველოში თავისუფლებისმოყვარე, ამაყი, განათლებული და ნიჭიერი პოლონელის სახე, რომელიც დღესაც არქეტიპად გვევლინება. მეფის ბრძანების თანახმად პოლონელებს კავკასიაში ასახლებდნენ დასჯის მიზნით. შედეგი საპირისპირო გამოდგა – მათ დაამყარეს სულიერი კავშირი ქართულ ინტელიგენციასთან, რამაც აშკარა შემოქმედებითი შედეგები გამოიღო. წინამდებარე წიგნი ლიტერატორ-რომანტიკოსებს ეძღვნება. ჩვენი გმირები – „კავკასიური ჯგუფის“ პოეტები არიან. მათი არსებობის შესახებ ბევრს სმენია, ხოლო მათ ცხოვრებასა და შემოქმედებას ცოტანი იცნობენ.

კავკასიელთა ჯგუფის ლიტერატურას დრამატული ბედი ერგო, მისი შემქმნელები კი, მიუხედავად სულიერი სიმდიდრისა, უმეტესად, ცხოვრებისაგან დათრგუნულები იყვნენ. ისინი გრძნობდნენ, რომ ცხოვრებისეულმა კატასტროფამ მაშინ მოუსწრო, როცა მთავარი საქმე ჯერ კიდევ გასაკეთებელი ჰქონდათ. ამასთანავე, გვაოცებს მათ ინტერესთა მრავალმხრივობა, რაც იმ თაობის დამახასიათებელი ნიშანი იყო. მათ ინტერესთა სფეროს შეადგენს პოეზია, პროზა, თარგმანები, ენების შესწავლა, ეთნოგრაფია, მუსიკა, გეოგრაფია, ბიოლოგია, იშვიათ შემთხვევაში – სამხედრო კარიერა. საკმარისია დავასახელოთ ჯგუფის ცენტრალური პიროვნებები – თადეუშ ლადა-ზაბლოცკი, ვოიცეხ პოტოცკი, ლეონ იანიშევსკი, მათეუშ გრალევსკი, კაზიმეჟ ლაპჩინსკი.

2.სტატია ბორის პასტერნაკის დაბადების 125-ე და ტიციან ტაბიძის 120-ე

წლისთავს ეძღვნება. ბ. პასტერნაკის „ქართული ცხოვრება“ ლეგენდად იქცა. მეოცე საუკუნის ერთ--ერთი ყველაზე კაშკაშა ლიტერატურული სამყაროს შემოქმედმა მტკიცედ დაუკავშირა ერთმანეთს ქართული და რუსული კულტურა და სულიერება, სამუდამოდ ჩაწერა საქართველოს ისტორიაში - მან საქართველოს უძღვნა სტრიქონები, რომლებიც მსოფლიო პოეზიის საგანძურშია შესული, ხოლო მისმა თარგმანებმა რუსი ხალხი ქართული ლირიკის თანაზიარად აქცის. სანიმუშოა მისი მეგობრობა ტიციან ტაბიძესთან, პაოლო იაშვილთან, ვალერიან გაფრინდაშვილთან... და შემთხვევითობად აღარც კი გეჩვენება, რომ წელს ერთდროულად აღინიშნება ორი დიდი შემოქმედის საიუბილეო თარიღები. აღწერილია საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ჩატარდა 2015 წლის 5-6 აპრილს მოსკოვში, პერედელკინოში (პასტერნაკის სახლ-მუზეუმში) და სანკტ-პეტერბურგში ანა ახმატოვას მუზეუმში. კონფერენციის ორგანიზატორებმა და მონაწილეებმა ბორის პასტერნაკისა და ტიციან ტაბიძის სამაგალითო მეგობრობის წარმოჩენით შეძლეს, ეჩვენებინათ როგორც კულტურატა ურთიერთკავშირი, ასევე პოეზიის უკომპრომისობის ფენომენი, ადამიანური თავგანწირვისა და თანადგომის იშვიათი ნიმუში, რომელიც არ მთავრდება ფიზიკურ აღსასრულთან ერთად და მარადიულად აგრძელებს არსებობას.

3. სტატიაში განხილულია ბორის პასტერნაკის და ქართველი პოეტების, უპირველეს ყოვლისა, ტიციან ტაბიძის და პაოლო იაშვილის და მათი ოჯახების შემოქმედებითი მეგობრობის ძირითადი მომენტები. იმ დროისთვის, როდესაც პასტერნაკმა გაიცნო „წისფერყანწელები“ იგი უკვე ცნობილი პოეტი იყო არა მხოლოდ რუსეთში, არამედ მსოფლიში. მეორე მხვრივ, იგი მუდმივ პრობლემად იქცა ოფიციალური ხელისუფლებისთვის და ემიჯნებოდა საერთო იდეოლოგიურ ხაზს, ხოლო მოგვიანებით ვერაფრით ვერ ჯდებოდა სოცრეალიზმის ჩარჩოებში. მისი აზრები, რომლებსაც იგი სულ უფრო და უფრო ღიად გამოთქვამდა ბევრისთვის სახიფატო აღმოჩნდა. ურთირტთობა პასტერნაკთან იცვლებოდა დიდ პატივად და ამავე დროს არასასურველი იყო ხან მეტად, ხან ნაკლებად, რაც დამოკიდებული იყო დოს პოლიტიკურ კონიუნკტურაზე. 1931 პასტერნაკმა იმდენად ღრმად შეისისხლხორცა საქართველო, საკუთარი ადგილი მის სულიერ ელიტაში, რომ ქართული კულტურისთვის სამუდამოდ დარჩა მის ორგანულ შემადგენელ ნაწილად. მეგობრებისთვის - მათი ბედის გამზიარებლად, ხოლო მეგობრების ბავშვებისთვის „ძია ბორიად“. ერთმანეთს დაემთხვა მომენტი, ატმოსფერო და სულის მოთხოვნილება. წარმოიშვა ურთიერთობების, შემოქმედებითი ძიებების და აღმოჩენებების მთელი სამყარო. იგი გახდა ლეგენდად, რომლის ბადალი არ არსებობს ქართულ-რუსულ კულტურულ კონტაქტების ისტორიაში.

ბორის პასტერნაკის მიმოწერა მის ქართველ მეგობრებთან და მათ ოჯახებთან - xx საუკუნის ეპისტოლარული ჟანრის ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუშია. თითქოს და ეს არის კერძო მიმოწერა რამოდენიმე ადამიანის იმ ფაქტების და მოვლენების ხსენებით, რომლებიც გასაგებია მხოლოდ ავტორებისათვის, მაგრამ იგი გამოცემულია მსოფლიო მრავალ ენაზე, რადგან ავლენს ადამიანთა შორის თანაგრძნობის სასწაულ შესაძლებლობებს და იქცა ტალანტის, სიმამაცის და ნათელი გრძნობების სიმბოლოდ.

4.სტატიაში განხილულია მოსკოვში და პეტერბურგში ჩატარებული საერთაშორისო

კონფერენციის „ბორის პასტერნაკი და ტიციან ტაბიძე: მეგობრობის დიალოგი როგორც კულტურების დიალოგი“. კონფერენცია იქცა არა მარტო ცოცხალი მტკიცებულება რუსული და ქართული კულტურების ურთიერთებისა, არამედ ახალ სიტყვად დღევანდელ კონტაქტებში. დაამტკიცა ძალა ამ „სისხლიანი ურთიერთობათა“, როგორც განმართავდა თავის სიახლოვეს ქართველ პოეტებთან თვითონ პასტერნაკი.

გადაწყდა, რომ ორივე პოეტის იუბილეის გადიხდინენ ერთად. ასეთ რთულ რუსულ-ქართულ ურთიერთობათა დროს შესაძლო გახდა ამ იდეის ბრწყინვალე განხორციელება. თბილისის დელეგაციში შედიოდნენ მოღვაწეები, რომლებიც პოეტის შემოქმედების შესწავლასთან იყვნენ დაკავშირებულები: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ირმა რატიანი, პასტერნაკის მეგობრების წრის ახლობელი პროფ. ზაზა აბზიანიძე, პოეტის მთარგმნელი პროფ. გია ჯოზაძე, მწერალთა სახლის დირექტორის მოადგილე ნუნუ ნიბლაძე, ფილოლოგიის დაქტორი ირინე მოდებაძე, ქართულ-რუსული ურთიერთობების ცნობილი მკვლევარე ელენა ყიასაშვილი, პასტერნაკის შემოქმედების მკვლევარე მარიამ ფილინა და ნინა ასათიანი, ტიციანის შვილიშვილი, ამჟამად მისი სახლ-მუზეუმის კურატორი.

თემათიკის მრავალფეროვნება იმის დასტურია, თუ რა მკვლევართა რა დიდი წრე იკვლის პოეტის შემოქმედების და პიროვნების მხარეს, რაოდემ მჭიდრად არიან ისინი დაკავშირებული კულტურულ პროცესთან და რაოდენ ინდივიდუალურია ამ პროცესთან მიდგამა.

5.ალექსანდრე შიმკევიჩია - თბილისის ყველაზე ცნობილი შენობების პროექტების ავტორია: არტისტული საზოგადოების - ამჟამად შოთა რუსთაველის სახ. დრამატული თეატრი (კორნელი ტატიშჩევთან თანაავტორობით), კონსერვატორია, საქალაქო, ამჟამად უზენაესი სასამართლო, უნივერმაღის შენობა მარჯანიშვილის ქუჩაზე (ამჟამად ბანკი TBC), კავკასიიის აბრეშუმის სადგური (მუშტაიდში), ანდრიოლეტის სახლი, ხაზინის სახლი ლადო გუდიაშვილის ქუჩაზე, საცხოვრებელი სახლები ჭონქაძის და უზნაძის ქუჩებზე, ფუნიკულიორის ქვედა სადგური (არქიტექტორ ბლუშთან თანაავტორობით), რომელიც ვერ შენარჩუნდა, ბათუმის გიმნაზია...ქალაქის არქიტექტორი - მაშინ ეს თანამდებობა მოკრძალებულად ჟღერდა - ფაქტიურად დედაქალაქის მთავარი არქიტექტორი: ამ როლში დაიწყო 1885-1891 წლებში ახალგაზრდა, ოცდაათი წლის ა.შიმკევიჩმა იმ დროისთვის გრანდიოზული მშენებლობა. რუსეთის ჩრდილოეთ დედაქალაში გაზრდილი, ევროპული სკოლის აღზრდილი ხუროთმოძღვარე აღმოჩნდა სრულიად ახალ გარემოში. უძველესმა ქალაქმა გააოცა შიმკევიჩი - თავისი განუმეორებელი რელიეფით, სხვადასხვა საუკუნეში შექმნილი თითოეული რაიონის განსაკუთრებული სამყაროთი. როგორი გამბედაობა, მასშტაბური აზროვნება და უდიდესი შემოქმედებითი მუხტი უნდა ჰქონოდა ადამიანს ისმისთვის, რომ თბილისის ახალი ცენტრის შექმნა გადაეწყვიტა და დედაქალაქის თანამედროვე იერის ჩამოყალიბებასთან ერთად შეენარჩუნებინა ქალაქის ინდივიდუალურობა.

6. სტატიაში განხილულია ბორის პასტერნაკის და ქართველი პოეტების, უპირველეს ყოვლისა, ტიციან ტაბიძის და პაოლო იაშვილის და მათი ოჯახების შემოქმედებითი მეგობრობის ძირითადი მომენტები. იმ დროისთვის, როდესაც პასტერნაკმა გაიცნო „წისფერყანწელები“ იგი უკვე ცნობილი პოეტი იყო არა მხოლოდ რუსეთში, არამედ მსოფლიოში. მეორე მხვრივ, იგი მუდმივ პრობლემად იქცა ოფიციალური ხელისუფლებისთვის და ემიჯნებოდა საერთო იდეოლოგიურ ხაზს, ხოლო მოგვიანებით ვერაფრით ვერ ჯდებოდა სოცრეალიზმის ჩარჩოებში. მისი აზრები, რომლებსაც იგი სულ უფრო და უფრო ღიად გამოთქვამდა ბევრისთვის სახიფატო აღმოჩნდა. ურთიერთობა პასტერნაკთან იცვლებოდა დიდ პატივად და ამავე დროს არასასურველი იყო ხან მეტად, ხან ნაკლებად, რაც დამოკიდებული იყო დროს

პოლიტიკურ კონიუნკტურაზე. 1931 პასტერნაკმა იმდენად ღრმად შეისისხლხორცა საქართველო, საკუთარი ადგილი მის სულიერ ელიტაში, რომ ქართული კულტურისთვის სამუდამოდ დარჩა მის ორგანულ შემადგენელ ნაწილად. მეგობრებისთვის - მათი ბედის გამზიარებლად, ხოლო მეგობრების ბავშვებისთვის „ძია ბორიად“. ერთმანეთს დაემთხვა მომენტი, ატმოსფერო და სულის მოთხოვნილება. წარმოიშვა ურთიერთობების, შემოქმედებითი ძიებების და აღმოჩენებების მთელი სამყარო. იგი გახდა ლეგენდად, რომლის ბადალი არ არსებობს ქართულ-რუსულ კულტურულ კონტაქტების ისტორიაში.

II. 2. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				

ანოტაციები ქართულ ენაზე

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მარიამ ფილინა	მე-XIX საუკუნეში საქართველოში დაარსებული პოლონიის წყარო და მისი საქმიანობა თბილისში. პოლონელები საქართველოში (პოლონურ და ქართულ ენ.) კრებული „კუკია“. დავიწყებული პოლონური მემკიდვრეობა საქართველოში.		პოლონეთი, გამომცემლობა „Nowica”	პოლონური ვარიანტი - 14 ქართული ვარიანტი - 14
2	მარიამ ფილინა	Создатель тбилисских шедевров. Александр Шимкевич и облик грузинской столицы. Twórca tbiliskich ardydzieł. Aleksander Szymkiewicz i oblicze gruzińskiej stolicy. Czasopismo „Kaukaska Polonia”. Журнал «Кавказская Полония»	№ 47		12 პოლონურ და რუსულ ენებზე
3	მარიამ ფილინა	Об эстетических особенностях утопического романа. Схема и эмоциональное		იენა, გერმანია, იენის უნივერსიტეტის გამომცემლობა	21

		восприятие (европейская и русская утопия) (რუსულ ენაზე) კრებული „უტოპიის კრიზისი? (ეპოქების შეცვლა და მისი აისახება მე -19 და მე -20 საუკუნის სლავური ლიტერატურებში)“			
	მარიამ ფილინა	Письма Пастернака грузинским друзьям в контексте своей эпохи и нашего времени (რუსულ ენაზე) კრებული „ბორის პასტერნაკი და ტიციან ტაბიძე. მეგობრობა როგორც კულტურათა დიალოგი“		მოსკოვი, „მეცნიერება“ (ბეჭდვის პროცესში)	20

1. კავკასიის პოლონია წარმოადგენს ერთ-ერთი უძველეს პოლონიას, რომელსაც ორას წელზე მეტი ისტორია გააჩნია. პირველი პოლონელები საქართველოსი გამოჩდნენ XVI საუკუნეში. პოლონიის ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყანაში აქტიური პოლიტიკური ცხოვრების პერიოდთან. ზუსტად მაშინ მყარდებოდა პოლონურ-კავკასიური კონტაქტები.

1830-1840 წწ. კავკასიის ტერიტორიაზე იმყოფებოდა პოლონელ პოლიტიკურ „დამნასავეთა“ პირველი ყველაზე დიდი და ერთსულოვანი ჯგუფი. აჯანყება იყო მთელი თაობის ისეთი განსაცდელი გადმოსახლებულთათვის, მათ შორის რომანტიკოსთა მთელი პირველი თაობისტვის, რომელმაც გაჰყო პოლონელები ადგილობრივებად და ემიგრანტებად. 1831 წელი გახდა სიმბოლური, რადგან ამ წელს გადმოსახლეს აჰანყებულტა ახალი ტალღა. იმ ტაობის პოლონელტა ღვაწლი საქართველოში და კავკასიაში მნიშვნელოვანი იყო თითქმის ყველა დარგში.

2. ალექსანდრე შიმკევიჩია - თბილისის ყველაზე ცნობილი შენობების პროექტების ავტორია: არტისტული საზოგადოების - ამჟამად შოთა რუსთაველის სახ. დრამატული თეატრი (კორნელი ტატიშჩევთან თანაავტორობით), კონსერვატორია, საქალაქო, ამჟამად უზენაესი სასამართლო, უნივერმაღის შენობა მარჯანიშვილის ქუჩაზე (ამჟამად

ბანკი TBC), კავკასიიის აბრეშუმის სადგური (მუშტაიდში), ანდრიოლეტის სახლი, ხაზინის სახლი ლადო გუდიაშვილის ქუჩაზე, საცხოვრებელი სახლები ჭონქაძის და უზნაძის ქუჩებზე, ფუნიკულიორის ქვედა სადგური (არქიტექტორ ბლუშთან თანაავტორობით), რომელიც ვერ შენარჩუნდა, ბათუმის გიმნაზია...ქალაქის არქიტექტორი - მაშინ ეს თანამდებობა მოკრძალებულად ჟღერდა - ფაქტიურად დედაქალაქის მთავარი არქიტექტორი: ამ როლში დაიწყო 1885-1891 წლებში ახალგაზრდა, ოცდაათი წლის ა.შიმკევიჩმა იმ დროისთვის გრანდიოზული მშენებლობა. რუსეთის ჩრდილოეთ დედაქალაში გაზრდილი, ევროპული სკოლის აღზრდილი ხუროთმოძღვარე აღმოჩნდა სრულიად ახალ გარემოში. უძველესმა ქალაქმა გააოცა შიმკევიჩი - თავისი განუმეორებელი რელიეფით, სხვადასხვა საუკუნეში შექმნილი თითოეული რაიონის განსაკუთრებული სამყაროთი. როგორი გამბედაობა, მასშტაბური აზროვნება და უდიდესი შემოქმედებითი მუხტი უნდა ჰქონოდა ადამიანს ისმისთვის, რომ თბილისის ახალი ცენტრის შექმნა გადაეწყვიტა და დედაქალაქის თანამედროვე იერის ჩამოყალიბებასთან ერთად შეენარჩუნებინა ქალაქის ინდივიდუალურობა.

სტატიაში განხილულია უტოპიური რომანის პოეტიკისა და ესთეტიკის საკითხები - ამ ჟანრის შესასწავლი ყველაზე რთული ასპექტები. ძირითადი წინააღმდეგობრიობა იმაშია, რომ უტოპიის არსს წარმოადგენს სამყაროს ახლებურად მოწყობის ოცნება,

რომელიც შემოსილია ხისტი კონსტრუქციით. "ოცნების კონსტრუქცია" - თავისთავად ურთიერთგამომრიცხავი და წინააღმდეგობრივი სიტყვათა წყობაა, და ამ წინააღმდეგობაში მოთავსებულია რაციონალურად შქმნილი სამყაროს სთეტიკური საწყისების სირთულე.

კლასიკური უტოპიების უშუალო ესთეტიკური ზემოქმედების სირთულე გამოიხატებოდა იმაში, რომ შედგებოდა მომენტებისაგან, რომლებიც იმყოფებოდნენ ნაწარმოების სახეთა გარეთ. განწყობა, განპირობებული უკმაყოილებით თანამედროვე საზოგადოების საფუძვლებით, ეპოქის ძირითადი ფილოსოფიური პრობლემები, რწმენა იმისა, რომ თითოეული ადამიანი იმსახურებს უკეთესს ბედს - ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო მსგავსი რომანების ემოციურ აღქმას.

დაწვრილებით არის განხილული ჩერნიშევსკის რომანი „რა ვაკეთოთ?" - ბოლო ეპოქა იმისა, როცა „ყოველი სოციალისტი იყო პოეტი". განვითარება მიმდინარეობდა „პოეტურობის" დაძლევის და მეცნიერების დამკვიდრების ხაზით. იდეალის მეცნიერებისეული წარმოდგენა რომან - ტრაქტატში, აბსტრაქტული ფანტაზიები, რომლებიც მოწყვეტილები იყვნენ რეალურ ცხოვრებას, თანამედროვეობის გამოწვევები - ყველაფერმა ამან ადგილი დაუთმო სამეცნიერო პროექტებს. ვითარდებოდა სპეციალიზაციის პროცესი.

.

3.სტატიაში განხილულია ბორის პასტერნაკის მრავალმხვრივი კავშირი საქართველოსთან, ქართული კულტურის მოღვაწეებთან და აგრეთვე შესწავლილია საარქივო მასალები, რომელიც 1980 წელს ამ სტატიის ავტორმა ჩამოიტანა თბილისში, ხოლო ამჟამად ინახება საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში. პასტერნაკმა შექმნა საქართველოზე ისეთი პოეტური ნაწარმოებები, რომლებიც პოეზიის მსოფლიო საგანძურში შევიდა, ქართული ლირიკა რუსულენოვან მკითხველისთვის ახლობელი და ძვირფასი გახადა და შესაძლებლობა მისცა პასტერნაკის ჯადოსნური თარგმანების მეშვეობით.

სტალინის ტერორის წლებში ბორის პასტერნაკი, რომელიც წინასწარმრტყველებდა ბევრი ახლობლის ბედს, საქუთარი თავისუფლების და, შესაძლოა, სიცოცხლის ფასადაც კი ყოველგვარ დახმარებას უწევდა თავის მეგობრებს - პაოლოი იაშვილს, ტიციან ტაბიძეს, ვალერიან გაფრინდაშვილს და სხვას. ტიციანის და პაოლოს

დაღუპვის შემდეგ იგი ათწლეულობის მანძილზე უწევდა დახმარებას მათ ოჯახებს. მხოლოდ მას და ნინა ტაბიძეს 1950-იანი შუა წლებამდე სჯეროდათ, რომ შესაძლოა ტიციანი ცოცხალია და დაბრუნდება მასთან. ბორის პასტერნაკის მიმოწერა მის ქართველ მეგობრებთან და მათ ოჯახებთან - xx საუკუნის ეპისტოლარული ჟანრის ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუშია. თითქოს და ეს არის კერძო მიმოწერა რამოდენიმე ადამიანის იმ ფაქტების და მოვლენების ხსენებით, რომლებიც გასაგებია მხოლოდ ავტორებისათვის, მაგრამ იგი გამოცემულია მსოფლიო მრავალ ენაზე, რადგან ავლენს ადამიანთა შორის თანაგრძნობის სასწაულ შესაძლებლობებს და იქცა ტალანტის, სიმამაცის და ნათელი გრძნობების სიმბოლოდ.

ეროვნებათაშორისო ურთიერთობის შორის დღევანდელი ტენდენციების გადასახედიდან მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ შემოქმედებითი ინტელიგენციის დაპირიპირება მოქმედებდა არა ერთი კულტურის შიგნით, არამედ ორი ეროვნული კულტურის ერთიანობაში, საერთოსაკაცობრიო ფასეულობების დამტკიცებაში.
ამ წერილებში ნათლად არის წარმოდგენილი პასტერნაკის მეტად მნიშვნელოვანი პოზიცია მისთვის ახალი დროებისა, როდესაც სახელმწიფო სისტემის ერთ-ერთ მთავარი მიზანი იყო ადამიანთა შორის კავშირების გაწყვეტა.

კავკასიის პოლონია წარმოადგენს ერთ-ერთი უძველეს პოლონიას, რომელსაც ორას წელზე მეტი ისტორია გააჩნია. პირველი პოლონელები საქართველოსი გამოჩდნენ XVI საუკუნეში. პოლონიის ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყანაში აქტიური პოლიტიკური ცხოვრების პერიოდთან. ზუსტად მაშინ მყარდებოდა პოლონურ-კავკასიური კონტაქტები.

1830-1840 წწ. კავკასიის ტერიტორიაზე იმყოფებოდა პოლონელ პოლიტიკურ „დამნასავეთა“ პირველი ყველაზე დიდი და ერთსულოვანი ჯგუფი. აჯანყება იყო მთელი თაობის ისეთი განსაცდელი გადმოსახლებულთათვის, მათ შორის რომანტიკოსთა მთელი პირველი თაობისტვის, რომელმაც გაჰყო პოლონელები ადგილობრივებად და ემიგრანტებად. 1831 წელი გახდა სიმბოლური, რადგან ამ წელს გადმოსახლეს აჰანყებულტა ახალი ტალღა. იმ ტაობის პოლონელტა ღვაწლი საქართველოში და კავკასიაში მნიშვნელოვანი იყო თითქმის ყველა დარგში.

4. ალექსანდრე შიმკევიჩი - თბილისის ყველაზე ცნობილი შენობების პროექტების ავტორია: არტისტული საზოგადოების - ამჟამად შოთა რუსთაველის სახ. დრამატული თეატრი (კორნელი ტატიშჩევთან თანაავტორობით), კონსერვატორია, საქალაქო, ამჟამად უზენაესი სასამართლო, უნივერმაღის შენობა მარჯანიშვილის ქუჩაზე (ამჟამად ბანკი TBC), კავკასიიის აბრეშუმის სადგური (მუშტაიდში), ანდრიოლეტის სახლი, ხაზინის სახლი ლადო გუდიაშვილის ქუჩაზე, საცხოვრებელი სახლები ჭონქაძის და უზნაძის ქუჩებზე, ფუნიკულიორის ქვედა სადგური (არქიტექტორ ბლუშთან თანაავტორობით), რომელიც ვერ შენარჩუნდა, ბათუმის გიმნაზია...ქალაქის არქიტექტორი - მაშინ ეს თანამდებობა მოკრძალებულად ჟღერდა - ფაქტიურად დედაქალაქის მთავარი არქიტექტორი: ამ როლში დაიწყო 1885-1891 წლებში ახალგაზრდა, ოცდაათი წლის ა.შიმკევიჩმა იმ დროისთვის გრანდიოზული მშენებლობა. რუსეთის ჩრდილოეთ დედაქალაქში გაზრდილი, ევროპული სკოლის აღზრდილი

ხუროთმოძღვარე აღმოჩნდა სრულიად ახალ გარემოში. უძველესმა ქალაქმა გააოცა შიმკევიჩი - თავისი განუმეორებელი რელიეფით, სხვადასხვა საუკუნეში შექმნილი თითოეული რაიონის განსაკუთრებული სამყაროთი. როგორი გამბედაობა, მასშტაბური აზროვნება და უდიდესი შემოქმედებითი მუხტი უნდა ჰქონოდა ადამიანს ისმისთვის, რომ თბილისის ახალი ცენტრის შექმნა გადაეწყვიტა და დედაქალაქის თანამედროვე იერის ჩამოყალიბებასთან ერთად შეენარჩუნებინა ქალაქის ინდივიდუალურობა.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მარიამ ფილინა	პოლონურ „კავკასიელ“ პოეტთა როლი ქართულ-პოლონური კულტურული ურთიერთობების განვითარებაში	თბილისი, თსუ, 15-16.06.2015 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „პოლონური კავკასია“. ისტორია და პერსპექტივები“. მიძღვნილი კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირ „პოლონია“-ს დაარსებიდან 20 წლისთავს. გაიმართა პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პროექტის ფარგლებში, მსოფლიო თანამეგობრობა „პოლონია“-ს და საქართველოში პოლონეთის საელჩოს მხარდაჭერით
2	მარიამ ფილინა	აკაკი წერეთლის პოეზიის პოლონური თარგმანები	თბილისი, თსუ, 22-23.06.2015 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „აკაკი წერეთელი და მისი ეპოქა“ მიძღვნილი აკაკი წერეთლის დაბადებიდან 175 და გარდაცვლერბიდან 100 წლის იუბილესადმი

3	მარიამ ფილინა	ქართულ-პოლონური ლიტერატურული ურთიერთობები - დასაწყისიდან თანამედროვეობამდე.	თბილისი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 23-25.09.2015 IX საერთაშორისო სიმპოზიუმი „ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა“ (სიმპოზიუმი ეძღვნება აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან 100 წლისთავს)
4	მარიამ ფილინა	იდეოლოგია და მეცნიერება: დამორჩილება და იგნორირების მაცდელობა	თბილისი, თსუ, 17-20.09.2015 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „რუსეთი და საქართველო იმპერიის შემდეგ. კულტურულ-ლიტერატურული ასპექტები“. თსუ - ბოჰუმის უნივერსიტეტი (გერმანია).

1. კავკასიასა და კერძოდ, საქართველოში, პოლონელთა მოღვაწეობა რომანტიზმის პერიოდში პოლონური ემიგრაციის ისტორიის განსაკუთრებული ეტაპია. მატიანეებში იგი ჩაიწერა როგორც დედამიწის ამ ნაწილში პოლონელთა ძალისმიერი გადასახლება.

რომანტიზმის ირგვლივ მსჯელობა დღესაც გრძელდება, იგი ყველას თავისებურად წარმოუდგენია. არასპეციალისტთათვის რომანტიზმი, უპირველეს ყოვლისა, სულის აღსარებაა, ამაღლებული გრძნობებია და არაჩვეულებრივი პიროვნების ბობოქარი ცხოვრებაა. ეს გმირი კი, მათი აზრით, როგორც წესი, სხვადასხვა ეგზოტიკურ ვითარებაში იმყოფება. ჩვენი პერსონაჟები – „კავკასიელი“ პოეტები – ჭეშმარიტი რომანტიკოსები არიან, ოღონდ რომანტიზმის ყველაზე ტრაგიკულ რეგისტრში. თუმცა რომანტიზმში ისედაც, ყველაზე ხშირად, ტრაგიკული აღქმა იგულისხმება. პოლონელი „კავკასიელი“ პოეტები მათთვის ეგზოტიკურ სამყაროს თავისი ნებით არ შეეჯახნენ და ეს სამყარო მათთვის რეალურად მკაცრი იყო. პოეტები ჯარისკაცები გახდნენ და კავკასიურ ომში იღუპებოდნენ. ტყუილად მიაჩნიათ, რომ კავკასიაში – „სამხრეთ ციმბირში“ – ყოფნა გადასახლებულთათვის უფრო იოლი გადასატანი იყო, ვიდრე ნამდვილ ციმბირში. სიტუაციის ტრაგიზმი

იგრძნობა მათ მიერ შექმნილ ნაწარმოებში. ჩვენ გადავწყვიტეთ შეგვედგინა ანთოლოგია, რომელშიც პირველად იქნებოდა შეტანილი გადასახლებულ პოლონელთა ყველა ჟანრის ტექსტები – მათი ლექსები, პროზა, წერილები, დღიურები, რომ თუნდაც არასრულად, მაგრამ ყველა რაკურსით წარმოგვედგინა მათი შესაძლებლობების მთელი სპექტრი.

გადმოსახლებულ „კავკასიელებს“ რომ ისტორიაში თავიანთი კვალი არ დაეტოვებინათ, რომ არ ჩართულიყვნენ პოლონეთის ლიტერატურულ პროცესში, ჩვენ თითქმის არაფერი გვეცოდინებოდა მათ შესახებ და არც მათი კავკასიაში ცხოვრება და მოღვაწეობა გვექნებოდა გააზრებული. მათმა მემკვიდრეობამ, ფაქტობრივად, მეხსიერების ხანგრძლივი მექანიზმი აამუშავა.

2.ქართული პოეზია ყოველთვის წარმოადგენდა პოლონელი ლიტერატორების ინტერესის სფეროს. პოლონელი და ქართველი პოეტების თანამშრომლობის შედეგად გამოიცა სერიოზული ანთოლოგია – *ქართული პოეზიის ანთოლოგია* (ვარშავა, 1961, ლეოპოლდ ლევინის რედაქციით. 286 გვ.), *ძველი ქართული პოეზია* (ვარშავა, 1974, შემდგ. ლეოპოლდ ლევინი. 327 გვ.) და *ქართული პოეზია* (ლოძი, 1985, შემდგ. იგორ სიკირიცკი. 630 გვ.). ყველა ანთოლოგიაში შევიდა აკაკი წერეთლის პოეზიის თარგმანები.

პირველში შეიტანეს „იავნანა“, „პოეტი“ (თარგმ. ვ.სლობოდნიკი), „სულიკო“ (თარგმ. ა.კამენსკა), „აღელდი ზღვაო“ და „ხანჯალი“ (თარგმ. ა,მენძიჟეცკი).

მეორე ანთოლოგიაში შევიდა „სულიკო“ (თარგმ. ა.კამენსკა), „ხანჯალი“ (თარგმ. ა.მენძიჟეცკი), „პოეტი“ (თარგმ. ვ.სლობოდნიკი), „განთიადი“ (თარგმ. ტ.ხრუშჩელევსკი), „ღამურა“ და „ქართველი ქალი“ (თარგმ. ი.სიკირიცკი), „გამზრდელი“ თარგმნა შემდგენელმა.

მესამე ანთოლოგიაში შეტანილია ყველა ლექსი „გამზრდელის“ გარდა.

აკ.წერეთლის ყველაზე პოპულარული ლექსია „სულიკო“, რომელიც თარგმნილია ოთხჯერ, მათ შორის, ორი მთარგმნელი უცნობია. იგი გახდა ცნობილი სიმღერა პოლონეთში.

ქართული შედევრის ყველაზე საინტერესო ინტერპრეტაცია ეკუთვნის მთარგმნელს ანა კამენსკას. მისი თარგმანი არ გამოირჩევა ტექსტის სიზუსტით, და ლექსის სასიმღერო წყობაც გადმოსაცემად სერიოზულ სირთულეს წარმოადგენს, რამდენადაც პოლონურად მელოდიური ჟღერადობა უნდა შეინარჩუნოს, ხოლო პოლონური სასიმღერო წყობა პრინციპულად განსხვავდება ქართულისგან. „სულიკოს“ თარგმანი მით უმეტეს მნიშვნელოვანია, რადგან ეს არის ქართული ლირიკიდან ერთ-ერთი იმ მცირე ნაწარმოებთაგანი, რომელიც უკვე მე-19 საუკუნეში იყო ცნობილი პოლონეთში და უცნობი ავტორისეულ თარგმანში სიმღერადაც სრულდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ანა კამენსკამ, განსაკუთრებული ლირიკული ნიჭის მქონე პოეტმა, მშვენივრად გაართვა თავი აღნიშნულ სირთულეებს.

სულიკოს ჟღერადობა შესრულებულია განსაკუთრებული კამერული ლირიზმით.

შეიძლება ითქვას, რომ აკაკი წერეთლის პოეზია საკმაოდ ორგანულად ჟღერს პოლონურ ენაზე.

3.პოლონელების კავკასიაში და კერძოდ, საქართველოში ყოფნა რომანტიზმის პერიოდში, განსაკუთრებული ეტაპია პოლონური ემიგრაციის, კერძოდ, დედამიწის ამ კუთხეში ყოფნის თვალსაზრისითაც და ზოგადად, პოლონელთა ძალისმიერი გადასახლების ისტორიის გააზრების თვალსაზრისითაც.

კავკასიაში გადმოსახლებულებმა პოლონური სიტყვიერების უნიკალური სივრცე შექმნეს, რომელშიც მრავალმხრივი ინტერესებით აღსავსე ინტელიგენციის დიდი ნაწილი გაერთიანდა. ისინი მშობლიურ ლიტერატურულ წრეს იყვნენ მოშორებულნი და ქმნიდნენ პოლონური რომანტიზმის განსაკუთრებულ განშტოებას. ეს იყო განუმეორებელი პოეზია რომანტიკოსთა უმცროსი თაობისა (დაახლოებით ათი წლით მიცკევიჩზე უმცროსი). ჩვენ მის ტიპოლოგიურ თავისებურებებს ვარკვევთ. აქ არის მათი თემატიკისა და იდეური პოსტულატების კვლევა, განდევნილობის მენტალური თვალსაზრისით საკუთარი სამყაროს შექმნის შესწავლა და ქრონოტოპის კოორდინატების განსაზღვრა (“კატასტროფამდე” თუ “კატასტროფის შემდეგ”).

თავიანთ საკუთარ პოეზიას “კავკასიელები” აღიქვამდნენ როგორც სულიერი სიკვდილისაგან მხსნელს და ამასთანავე, კვნესას, რომლისგანაც თავს ვერ იკავებდნენ. პოეზიის მნიშვნელობას როდი დავამცირებთ თუ ვიტყვით, რომ იგი იყო საკუთარი თავის გამოხატვის ერთადერთი საშუალება, რომელიც არავითარ მატერიალურ სახსრებს არ მოითხოვდა კალმისა და საწერი ქაღალდის გარდა. არსებობის სხვა დონეზე გადასვლა ნიშნავდა საზოგადოებრივი მდგომარეობის მკვეთრ ცვლილებას, ფაქტობრივ დეგრადაციასა და სიღატაკეს. მათ ნაწარმოებებსა და წერილებში მრავალი სიტუაცია და უბედობაა აღწერილი: “ეს იყო რაღაც პაროქსიზმი, წარმოუდგენელი მდგომარეობა. მთელი ჩემი ცხოვრება იყო კალამი ხელში და სულიერი მისწრაფებანი, ახლა კი მძიმე ტვირთი ამკიდეს და ისეთი ფიზიკური შრომა დამავალეს, რაც ჩემს ძალას აღემატება” (ს. იურკოვსკის პ. პოდგორსკასთან 1939 წლის 2 აგვისტოს მიწერილი წერილი).

პირველი თაობის პოლონელმა “კავკასიელებმა”, კავკასია თავიანთ “ბედისწერად” შეიცნეს. ეს გაცილებით მეტი იყო, ვიდრე მოგზაურის შთაბეჭდილებანი. პოლონელთა ასეთი დიდი ჯგუფი, რომელმაც უაღრესად მკაფიო კვალი დატოვა კავკასიის ცხოვრების ყველა სფეროში, შემდეგ აღარასოდეს შექმნილა. საქართველოში ასეთ პოლონელთა ყოფნამ ჩაუყარა საფუძველი ქართულ-პოლონური კონტაქტების ტრადიციას; სწორედ ისინი იყვნენ ფუძემდებელნი ერთ-ერთი უძველესი და ორიგინალური პოლონიისა (პოლონური დიასპორისა), რომელიც დღესაც ფუნქციონირებს.

მნიშვნელოვანია ფაქტი, რომ მათი ნაწარმოებები, ორმაგი ცენზურის მიუხედავად, მაშინაც პოლონურ ალმანახებშიც იბეჭდებოდა მათი დაწერიდან თითქმის უმალვე. ისიც მნიშვნელოვანია, რომ ეს ნაწარმოებები თვითცენზურასაც გადიოდნენ და თითქმის არ გვხვდება ისეთი აბდაუბდა და უაზრო ტექსტები, როგორსაც დღეს ვაწყდებით ხოლმე. მას შემდეგ, რაც პოლონური ინტელიგენციის

მრავალრიცხოვანი ჯგუფი კავკასიაში გადაასახლეს (ბევრისათვის ეს გადასახლება უვადო იყო), დაგროვდა დიდძალი მასალა და ამასთან ერთად მოხდა მასალის ხარისხობრივად განსხვავებული გააზრება. პოლონელ მწერალ რომანტიკოსებისათვის კავკასია და საქართველო შემოქმედებითი აღმაფრენის ქვეყანა იყო: მდიდარი, არაჩვეულებრივი ბუნებითა და მხატვრული ფონით. ერთი სიტყვით, მხოლოდ და მხოლოდ ეგზოტიკურ ქვეყანას წარმოადგენდა.

ეს სტერეოტიპი მაშინ დაინგრა, როცა გადმოსახლებული პოლონელები კავკასიაში სხვადასხვა სამხედრო განაყოფებში გადაანაწილეს და ისინი იძულებულნი იყვნენ მთიელების წინააღმდეგ ებრძოლათ, ბევრ გაჭირვებას წააწყდნენ და კავკასიის რეალური ყოფა გაიცნეს. მათ შთაბეჭდილებებს არაფერი აქვს საერთო დროებით მოგზაურთა პოზიციასთან. მათი წყალობით ქართულ-პოლონური კონტაქტების პროცესი ორმხრივი ხდება.

4. მოხსენებაში წარმოდგენილია იმ პროცესების ანალიზის მცდელობა, რომელიც დამახასიათებელი იყო ჰუმანიტარულ მეცნიერებებისათვის საბჭოთა კავშირის პირობებში. განხილულია ქართული რუსისტიკის ძირითადი მიღწევები 1970-1980- იან წლებში. ავტორი გამოდის იმ დებულებიდან, რომ ჰუმანიტარულ მეცნიერებანი ყოველთვის დაკავშირებულია ეპოქის და კონკრეტული იდეოლოგიის მოთხოვნებილებთან, ზოგჯერ ემორჩილება მათ, ხოლო ზოგჯერ ცდილობს გვერდი აუხვიოს ან ვითარდებოდეს მასთან წინააღმდეგობის რეჟიმში. ისწავლება პერიოდი, როდესაც უკვე ძირითადად აღარ იყო ინტელიგენციის რეპრესიები და ისინი მხოლოდ შეურიგებელ დისიდენტებზე ვრცელდებოდა. საქართველოში მდგომარეობა გარკვეულად განსაკუთრებული იყო. უკვე თითქმის არ არსებიბდნენ ისეთი „მგზნებარე“ პარტიული იდეოლოგები, რომლებსაც სჯეროდათ კომუნისტური მომავალი. განხილულია ლიტურატურადმცოდნეობის პროცესი სხვადასხვა ფორმები - გამოქვეყნებული ნაშრომები, არაფორმალური შეხვედრები, კონფერენციები და სწავლების პროცესში სტუდენტთა აღზრდა.

ქართული რუსისტოკა არასოდეს არ ყოფილა და არც შეიძლება ყოპილიყო აშკარად დისიდენტური, მაგრამ ის არასოდეს არ ყოფილა არც ორთოდოქსალურად სოციალისტური. მან შეისისხლხორცა სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულებები და ეროვნული სტიქიები, სხვადასხვა ეტაპზე მაქსიმალურად იყენებდა სამეცნიერო აზრის გამოთქმის, ბეჭდვითი სიტყვის შედარებით თავისუფლებას და შეიტანა მნიშვნელოვანი წვლილი როგორც საკუთვრივ რუსისტიკაში, აგრეთვე ქართულ-რუსულ ლიტერატურულ, ლინგვისტურ და კულტურული ურთიერთობის სკოლების შექმნაში, ხოლო შემდგომ - კომპარატივისტიკის განვითარებაში.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების

	მომხსენებლები		დრო და ადგილი
1	მარიამ ფილინა	„ბორის პასტერნაკის წერილები ქართულ პოეტებთან ეპოქის კონტექსტში“	მოსკოვი - პერედელკინო - პეტერსბურგი, 5-6.04.2015 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ბორის პასტერნაკი და ტიციან ტაბიძე. მეგობრობა როგორც კულტურათა დიალოგი“
2	მარიამ ფილინა	ქართული „პოლონიის“ ისტორია	ვარშავა, 01-03.05.2015 საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურული კონფერენცია, მიძღვნილია თანამეგობრობა „ვპულნოტა პოლსკას“ 25-წლისთავს
3	მარიამ ფილინა	ალექსანდრე პოტიომკინის რომანი „რუსი პაციენტი“	ესპანეთი, მალაგა - ესტეპონა, 25-29.10.2015 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ალექსანდრე პოტიომკინის შემოქმედება“. ორგანიზებულია საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ

. განხილულია ბორის პასტერნაკის მრავალმხვრივი კავშირი საქართველოსთან, ქართული კულტურის მოღვაწეებთან და აგრეთვე შესწავლილია საარქივო მასალები, რომელიც 1980 წელს ამ სტატიის ავტორმა ჩამოიტანა თბილისში, ხოლო ამჟამად ინახება საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში. პასტერნაკმა შექმნა საქართველოზე ისეთი პოეტური ნაწარმოებები, რომლებიც პოეზიის მსოფლიო საგანძურში შევიდა, ქართული ლირიკა რუსულენოვან მკითხველისთვის ახლობელი და ძვირფასი გახადა და შესაძლებლობა მისცა პასტერნაკის ჯადოსნური თარგმანების მეშვეობით. სტალინის ტერორის წლებში ბორის პასტერნაკი, რომელიც წინასწარმრტყველებდა ბევრი ახლობლის ბედს, საქუთარი თავისუფლების და, შესაძლოა, სიცოცხლის ფასადაც კი ყოველგვარ დახმარებას უწევდა თავის მეგობრებს - პაოლოი იაშვილს, ტიციან ტაბიძეს, ვალერიან გაფრინდაშვილს და სხვას. ტიციანის და პაოლოს დაღუპვის შემდეგ იგი ათწლეულობის მანძილზე უწევდა დახმარებას მათ ოჯახებს. მხოლოდ მას და ნინა ტაბიძეს 1950-იანი შუა წლებამდე სჯეროდათ, რომ შესაძლოა ტიციანი ცოცხალია და დაბრუნდება მასთან.
რუსი პოეტის წერილებით შეიძლება თვალყური ვადევნოთ სასიხარულო შეხვედრების, შემოქმედებითი გეგმების ეტაპებს იმ საშინელი დანაკარგების და ცხოვრებისეულ ურთულესი სიტუაციებების წლებს. მკითხველი თანამოზიარე ხდება იმ პეროდის ატმოსფეროზე და ხელახლად განიცდის ამ ურთიერთობების დრამატულობას, ეცნობა შემოქმედებით გეგმებს.
ეროვნებათაშორისო ურთიერთობის შორის დღევანდელი ტენდენციების გადასახედიდან მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ შემოქმედებითი ინტელიგენციის დაპირიპირება მოქმედებდა არა ერთი კულტურის შიგნით, არამედ ორი ეროვნული კულტურის ერთიანობაში, საერთოსაკაცობრიო ფასეულობების დამტკიცებაში.

2. საერთაშორისო პოლონიის წარმომადგენელთა ფორუმზე 50 ქვეყნებიდან წაკითხულ მოხსენებაში მოთხრობილია მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი პოლონიის - კავკასიის პოლონიის ისტორია და აგრეთვე კავკასიაში შექმნილი ახალ ისტორიულ ეტაპზე პირველი პოლონიური ორგანიზციის - საქართველოს პოლონელთა კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირ „პოლონია“-ს ფუნქციონირებაზე. განხილულია ამ ორგანიზაციის მოღვაწეობის და მირწევების ძირითადი მიმართულებანი (1995-2015 წლები). მოკლედ არის მოხსენიებული მისი მეცნიერული და კულტურული ღონისძიებები, მათ შორის, 9 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი ქართულ-პოლოუნურ ურთირიერთობებისადმი და პოლონეტის ცნობილ მოღვაწეთადმი. კონფერენციები ჩატარდა ივ.ჯავახიშვილის სახ. თსუ-სთან ერთად. აგრეთვე წარმოდგენილია ცნობები პოლონური ენის და კულტურის კურსების შესახებ, რომლებიც ფუნქციონირებს ამ კავშირის ჩარჩოებში, პოლონური და ქართული მუსიკის კონცერტების, პოლონელი მხატვრების გამოფენების და ფოტოგამოფენების შესახებ. აგრეთვე მოყვანილია პოლონიის კავშირის წევრების, კავშირის პარტნიორების მოკლე ბიოგრაფიები.

3. მოხსენებაში მოცემული ალექსანდრე პოტიომკინის რომანის „რუსი პაციენტის“ ანალიზი. ეს რომანი მეტად მძაფრი, ძლიერი და ამავე დროს დაუმდობელი ნაწაწმოებია. იგი გიტაცებს და რჩება მეხსიერებაში. თუ ავტორს სურდა მიღწევა იმისა, რომ რომანი წაკითხული ყოფილიყო მკითხველის სურვილის გარეშეც, მან მიაღწია ამას. ამ ნაწარმოების კიტვა მძიმეა, ხოლო მისი ანალიზი უფრო რთულია.
რომანი პროგრამულია - ეს არის მხატვრული ქსელის ყველა ფენაში ფილოსოფიური საწყისების და მასში ჩაქსოვილი მსოფლიოსი და ადამიანის დანგრეული სულის, ცალკეური პერსონაჟების და მთელი კაცობრიობის დეგრადირების ანალიზი რუსეთის მაგალითზე. რომანის სათაური, როგორც ამ ავტორის სხვა ნაწარმოებების სათაურები მეტად ზუსტად არის შერჩეული. იგი მკითხველს მაშინვე ამახსოვრდება (როგორც ჩანს, „ინგლისელი პაციენტის“ ალუზიასთან დაკავშირებით - ეს თავისებური თამაშია - აბა შეხედ ჩვენებს, აქ ხომ ადამიანებიც და სიუჟეტებიც სულ სხვა, “ინგლისელისთვის“ მიუცდომელი!) და თუმცა წიგნის მასალა სუფთა რუსულია, მაგრამ ჩნდება შეგრძნება, რომ ეს „ნგრევა“ გვერდს უვლის საზღვრო კონტროლს და იწვლება მხოლოდ ეთნიკური ფორმები, რომელიც მოიცავემ მთელ ადამიანთა მოდგმას.
ავტორი გვევლინება იმ რუსი ფილოსოფოსების და მწერლების აზრი გამგრძელებლად, რომლებიც გაიაზრდნენ მთელი მსოფლიოს და რუსეთის ბედის მომავალს ადამიანის, პიროვნების დაცემის ზღვარის გამოვლინებაში. დაშლილი და დანაწევრებულია ყველა და ყველაფერი - ადამიანი, საზოგადოება, ქვეყანა. ცხადია, რომ ავტორი ერთმნიშნელოვნად სულიერების მატარებლების მხარეზეა, რომლებსაც ებრძვიან „პუზირკოვების“ მსგავსნი მისი პერსონაჟები. მწერალი ცდილობს ჩასვდეს ადამიანის სულის ფსქერს და შოკში ჩააგდოს მკითხველი დაცემის უსაზღვროების ჩვენებით. შემდეგ შეასაძლოა ან ამ უფსკრულიდან თავის დაღწევა ან...?

1	ხ. მამისიმედიშვილი	ოსური ფოლკლორი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	401 გვერდი
2				
3				

ანოტაციები ქართულ ენაზე

1.სახელმძღვანელოში განხილულია ოსური ფოლკლორის ჟანრული შედგენილობა კონკრეტული ტექსტების ტიპოლოგიური, სტრუქტურული და მხატვრული ანალიზის მიხედვით; წარმოდგენილია ქართული და ოსური ფოლკლორული შემოქმედების გენეტიკური და ტიპოლოგიური სიახლოვე; სხვადასხვა ჟანრის ნიმუშები სახელმძღვანელოში განხილულია მთელთან მიმართებაში, როგორც ერთი ხალხის ტრადიციული შემოქმედების ნაწილი, საზოგადოების ყოფაში მათი ფუნქციისა და დანიშნულების მიხედვით.

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	სარედაქციო კოლეგია: ოთარ ბაქანიძე, დარეჯან თვალთვაძე, ლადო მინაშვილი, ნინო ნასყიდაშვილი	აკაკი წერეთელი, ჩანგური	თბილისი, თსუ გამომცემლობა 2015	340
2	ქ.სიხარულიძე	კოლხური ცულის სარიტუალო ფუნქციისათვის – ირაკლი სურგულაძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კრებული, 2015	თბილისი, ივ. ჯავახიშვილის თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	6

3	ქ.სიხარულიძე	მხატვრული აზროვნების ფორმების ტრანსფორმაცია ამირანის თქმულებაში – კრებულში „მხატვრული აზროვნების ტრანსფორმაციის ფორმები ქართულ ფოლკლორში“	თბილისი შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	14
4	ქ. სიხარულიძე	ქართულ–ოსური ფოლკლორული ურთიერთობის საკითხისათვის – კრებულში „ქართულ–ოსური ურთიერთობების განვითარების პერსპექტივები თანამედროვე ჭრილში“	თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2015	7
5	ვახტანგ თვარელაშვილი ტრისტან მახაური (შემდგენელ-რედაქტორი)	ლექსებით მომიგონებენ	თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“	99

ანოტაციები ქართულ ენაზე

ლადო მინაშვილი

1. ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, უკრაინისტიკის ინსტიტუტმა და კლუბმა “უკრაინამ“ გამოსაცემად მოამზადეს აკაკი წერეთლის თხზულებათა ორენოვანი კრებული “ჩანგური”. ორიგინალის პარალელურად მოთავსებულია მისი თარგმანი უკრაინულ ენაზე. მთარგმნელები არიან უკრაინელი პოეტები.. კრებული ეძღვნება აკაკი წერეთლის დაბადებიდან 175 და გარდაცვალებიდან 100 წლისთავს

ქეთევან სიხარულიძე:

1. კოლხური ცულის სარიტუალო ფუნქციისათვის

სტატიაში საუბარია კოლხური და ყობანური ცულების მსგავსებაზე, მათზე გამოხატულ ორნამენტებსა და რიტუალში მათი გამოყენების შესახებ. კოლხური კულტურა მეტალურგიის მაღალი დონითაც ხასიათდებოდა, რომელშიც განსაკუთრებული ადგილი ეკავა ბრინჯაოს ცულს თავისი დეკორით. კავკასიურ მითოლოგიაში ჩამოყალიბდა წარმოდგენები ღვთაებების შესახებ, რომლებიც განასახიერებდნენ ცისა და მიწის კავშირს.

საფიქრებელია, რომ ცული გამოიყენებოდა ამ ღვთაებებისათვის განკუთვნილ რიტუალებში.

2. **მხატვრული აზროვნების ფორმების ტრანსფორმაცია ამირანის თქმულებაში**

სტატიაში საუბარია მხატვრული ფორმების შესახებ ამირანის თქმულებაში. აღნიშნულია, რომ მასში, როგორც საზოგადოდ საგმირო ეპოსის სხვა ძეგლებში, ტრადიციული მხატვრული საშუალებები ძუნწადაა გამოყენებული. მხატვრული საშუალებების რიგში უნდა განვიხილოთ მითოსური და ზღაპრული, ზოგადად ეპიკური ტრადიციული მოტივების გამოყენება, მათი ტრანსფორმაცია თხრობის შესაბამისად, ინოვაციების შემოტანა პერსონაჟებთან მიმართებაში და ეპიზოდების გადმოცემისას ექსპრესიულობის გასაძლიერებლად. მხატვრული ფორმების ტრანსფორმაციების პრობლემა უშუალოდ უკავშირდება მთქმელების როლს ნაწარმოების შესრულების პროცესში.

3. **ქართულ–ოსური ფოლკლორული ურთიერთობის საკითხისათვის**

სტატიაში საუბარია ოსურ და ქართულ ფოლკლორულ მასალაზე, რომელშიც ასახულია მსგავსი წარმოდგენები ოჯახის მფარველ სულზე, ავადმყოფობის ღვთაებებზე, მათთან დაკავშირებული მსგავსი წეს–ჩვეულებები და სარიტუალო ტექსტები, აკვნის სიმღერები. განსაკუთრებით საინტერესოა ჯანტემირ შანაევის მიერ ჩაწერილი ტექსტი „ძისთვის მიმავალნი“, რომლის პერსონაჟები ენათესავებიან აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მითოლოგიურ პერსონაჟს გახუა მეგრელაურს. ამ და სხვა მასალის შედარება მნიშვნელოვანია როგორც საკუთრივ პოეტური სახეების შესწავლის, ისე ოსი და ქართველი ხალხების ფოლკლორული ურთიერთობების წარმოჩენის თვალსაზრისით. ისტორიული გამოცდილების გათვალისწინება კი შეიძლება დაგვეხმაროს თანამედროვე პრობლემების მოგვარებაში.

ტრისტან მახაური:

1. კრებულში დაბეჭდილია ქართული ხალხური სატირულ-იუმორისტული პოეზიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის ვახტანგ თვარელაშვილის კაფიები და გალექსებანი. მოწინააღმდეგის პიროვნული ნაკლის მხილება, სიცრუის, სიზარმაცის, მცონარობის, ვერაგობის, თაღლითობის გაკიცხვა და დაგმობა - აი, ამ კრებულში შესული ლექსების ძირითადი თემები.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მაკა ელბაქიძე	უმბერტო ეკო. ესთეტიკური აღქმის ასპექტები შუასაუკუნეებში (თარგმანი კომენტარებით)	ჟურნალი “სჯანი”. 2015. № 16	თბილისი, ლიტინსტიტუტის გამომცემლობა	გვ.110-122
2	მაკა ელბაქიძე	იოზეფ როთი და ბიბლიური ტრადიცია. მე-9 საერთაშორისო სიმპოზიუმის “ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა” - მასალები	2015 წ.	თბილისი. ლიტინსტიტუტის გამომცემლობა.	(იბეჭდება)

3	მაკა ელბაქიძე	ტანსაცმლის სოციოკულტურული და რიტუალურ-სიმბოლური ფუნქციისათვის შუასაუკუნეების მწერლობაში (“ვეფხისტყაოსნისა” და ევროპულ;ი რაინდული რომანის მაგალითზე)	საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესის მასალები. თ.I	თბილისი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა	გვ. 47
4	მაკა ელბაქიძე	“ვეფხისტყაოსნის” ახალი ინგლისური თარგმანის გამოსვლის გამო	“ლიტერატურული ძიებანი” № 36, 2015	თბილისი ლიტინსტიტუტის გამომცემლობა.	(იბეჭდება)
5	ლელა ხაჩიძე	“თეოდორე სტუდიელი ძველ ქართულ მწერლობაში”, “სჯანი”	№16	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	8
6	ლელა ხაჩიძე	“ მცირე ფორმის საგალობლები VIII-X საუკუნეების ქართულ, ბიზანტიურ და სლავურ ჰიმნოგრაფიაში”, “მრავალთავი”		ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, გამომცემლობა “არტანუჯი”	18
7	ნ.გონჯილა შვილი	„ნათლის სვეტის პარადიგმული სახისმეტყველება გ.ლეონიძის შემოქმედებაში, ჟურ. ენა და კულტურა,			გვ. 140-147
8	ნ.გონჯილა შვილი, ი. სანიკიძე	„ნათლის სვეტის“ სიმბოლო ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შემოქმედებაში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის – „ენა და კულტურა“ – შრომები	შრომები III	ქუთაისი, გამომცემლობა „მერიდიანი“	გვ. 84-95
9	ნ.გონჯილა შვილი	„ნათლის სვეტი“ – სიმბოლო სულიერი ნათლისა და XXს-ის ქართული მწერლობა. IX საერთაშორისო სიმპოზიუმის – ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები –მასალები	2015, IX	თბილისი, თსუ გამომცემლობა	
10	ნ.გონჯილა შვილი	„ნათლის სვეტის“ პარადიგმული სახისმეტყველება ნიკოლოზ გულაბერისძის „საკითხავსა“ და „საგალობელში“, წელიწდეული	2015, №	თბილისი, თსუ გამომცემლობა	

		(გადაცემულია დასაბეჭდად)			
11	ნ.გონჯილა შვილი	„ნათლის სვეტის“ პარადიგმული სახისმეტყველება „ვეფხისტყაოსანში“ (XII-XVIII ს.-ის ქართული მწერლობის განხილვის კონტექსტში), რუსთველოლოგია (გადაცემულია დასაბეჭდად)	2015, VII	თბილისი, თსუ გამომცემლობა	
12	ნ.გონჯილა შვილი	გზის სიმბოლოს გააზრებისათვის „ვეფხისტყაოსანში“ (მითოსის, რელიგიის, ფილოსოფიისა და ლიტერატურის განხილვის კონტექსტში, ნაწილი I), ლიტერატურული ძიებანი (გადაცემულია დასაბეჭდად)	2015, XXXVI	თბილისი, თსუ გამომცემლობა	
13	ნ.გონჯილა შვილი, ნ.სულავა	წმ.მარიამ მაგდალინელის ხატ-სახის ინტერპრეტაციისათვის ქრისტიანულ ტრადიციაში, ჟურნ. გულანი	2015, №16	ახალციხე, გამომცემლობა „ახალციხის უნივერსიტეტი“	გვ.49-76
14	ნ.გონჯილა შვილი, ნ.სულავა	წმ.მარიამ მაგდალინელის ხატ-სახის ინტერპრეტაციისათვის ქრისტიანულ ტრადიციაში (წმ.მარიამ მაგდალინელის პიროვნების არასწორი ინტერპრეტაციის გამო: წყაროთმცოდნეობითი კვლევა), ჟურნ. ანალები	2015, №11	თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“	გვ. 270-332
15	ლადო მინაშვილი	პავლე ინგოროყვა ახალი ქართული ლიტერატურის მკვლევარი, კრებულში–ორი თარიღი პიროვნებისაც და წიგნისაც	2015წ.	თბილისი, გამომცემლობა “ჩვენი მწერლობა”	38
16	ლადო მინაშვილი	ქართული რეალისტური პროზის სათავესთან, სტატია ეძღვნება ლავრენტი არდაზიანის დაბადებიდან 200 წლისთავს.	ჭავჭავაძის სახ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების ყოველწლიური ალმანახი “მწიგნობარი”	თბილისი, “კოლორ პრინტი”	12

17	ლადო მინაშვილი	XIX საუკუნის ქართულ მწერლობასთან ტიციან ტაბიძის მიმართებისათვის	წიგნში, ხატია შევარდნაძე, ტიციან ტაბიძე და XIX საუკუნის ქართული მწერლობა,	თბილისი, გამომც. "უნივერსალი" 2015	4
18	ე. ვარდოშვილი	ინტერტექსტუალური კვლევები, სამეცნიერო შრომები.	N15 2015	ქ. თბილისი. თსუ-ს გამომცემლობა.	101-110
19	ინგა მილორავა	ლიბერალიზმის ქართული ველი, „სჯანი",	№ 16,	თბილისი	5
20	ინგა მილორავა	ზღვის სივრცული მოდელი მოდერნისტულ ტექსტში, II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „თანამედროვე ინტერდისპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება" მასალები,		ქუთაისი, აკ. წერეთლის სახ. უნივერსიტეტი	8
21	ინგა მილორავა	„საზღვრისიქითა ქალაქების" ათინათები (გუჩა კვარაცხელას პოეტური კრებული „ათინათები")	ჟურნ. „კრიტიკა"	თბილისი	10
22	თამარ პაიჭაძე	**ქართული იმპრესიონისტული ინტერგრალები: ერთი მწერლიდან – ტენდენციისაკენ** VIII საერთაშორისო სიმპოზიუმი "ნაციონალური ლიტერატურები და კულტურული გლობალიზაციის პროცესი"	მასალები	თსუ თბილისი	12
23	თამარ პაიჭაძე	**მოდერნისტული რეკვიზიტი და ქართული ლიტერატურული ტრადიცია (ექსპრესიონიზმი)** საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ	მასალები	ბათუმი	15

		საზოგადოებაში-2“.			
24	თამარ პაიჭაძე	**კულტურულ-ისტორიული ორიენტაცია –გამოწვევა ლიტერატურული პროცესისათვის** IX საერთაშორისო სიმპოზიუმი ლიტერატურათმცოდეობის თანამედროვე პრობლემები ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა (სიმპოზიუმი ეძღვნება აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან 100 წლისთავს)	ასალები (იბეჭდება)	თსუ თბილისი	11
25	თამარ პაიჭაძე	**ქალაქი-ლოგოსი, როგორც კულტურული სივრცე მოდერნისტულ ტექსტში** საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია კულტურა და განათლებ კვლევა და მართვა	მასალები	ბათუმი	9
26	რუსუდან ნიშნიანიძე	„იქ – ამერიკაში” ჟურნ. „ჩვენი მწერლობა”	№4	თბილისი	7
27	რუსუდან ნიშნიანიძე	„მწერლის სამუშაო მაგიდიდან – მკითხველის მაგიდამდე” ჟურნ. „ჩვენი მწერლობა”	№10	თბილისი	6
28	რუსუდან ნიშნიანიძე	წინათქმა – წიგნისა „აკაკი ბელიაშვილი „ამერიკაში პარიზზე გავლით”		თბილისი ლიტერატურის მუზეუმის გამომცემლობა	25
29	რუსუდან ნიშნიანიძე	„ნიუ-იორკში დაბეჭდილი ერთი ლიტერატურული წერილი აკაკი წერეთლის რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის თაობაზე” საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები		თბილისი თსუ გამომცემლობა	2

30	რუსუდან ნიშნიანიძე	„სხვადასხვა ენაზე შესრულებული ერთი ლიტერატურული ტექსტი – თარგმანი თუ ინტელექტუალური დეზორიენტაცია?	*შრომების კრებული – იბეჭდება*		
31	რუსუდან ნიშნიანიძე	ამერიკაში გამოქვეყნებული ალბომი:„100 ყველაზე გახმაურებული მოვლენა და ერთი ქართული ოჯახის დრამატული ისტორია”	*მასალების კრებული – იბეჭდება*		
32	ქ. სიხარულიძე	მე–19 საუკუნის მეორე ნახევრის რუსულ პერიოდიკაში გამოქვეყნებული ფოლკლორული ტექსტების კლასიფიკაციის საკითხი – ჟურნალი „განათლება“	ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი 2015, N2	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა	გვ.66–71 (7 გვერდი)
33	ქ. სიხარულიძე	Oldest Population of Caucasus According to Mythological Data, Journal of Humanities, International Black Sea University, Volume 4/ Issue 1, December, 2015.	Volume 4/ Issue 1, December, 2015	თბილისი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	5
34	გოგიაშვილი, ელენე	უილიამ შექსპირის “ვენეციელი ვაჭარი” და ხალხური ზღაპრის საერთაშორისო სიუჟეტი ATU 890. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის კრებული, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, შექსპირის შემსწავლელი ცენტრი.		თბილისი, უნივერსალი	6
35	გოგიაშვილი, ელენე	ქართული და უკრაინული ზღაპრების კვლევა პოსტკოლონიურ კონტექსტში. სამეცნიერო შრომები. თსუ უკრაინისტიკის ინსტიტუტის, ტარას შევჩენკოს სახელობის	XV	თბილისი, თსუ გამომცემლობა	9

		კიევის ნაციონალური უნივერსიტეტის ფილოლოგიის ინსტიტუტის ლიტერატურის თეორიის, კომპარატივისტიკისა და ლიტერატურული შემოქმედების კათედრის სამეცნიერო შრომები			
36	გოგიაშვილი, ელენე	მითოსურ-რელიგიური რელიქტები ზღაპარში: ქართული ხალხური ლექსი "მენაცვალე" და მისი პროზაული ვერსიები. მითი, კულტი, რიტუალი. ირაკლი სურგულაძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები.		თბილისი	8
37	გოგიაშვილი, ელენე	ფოლკლორული წყაროები ქართულ-ოსური ურთიერთობების შესახებ რუსულ პერიოდულ კრებულებში (1855-1900) მასალები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისთვის "ქართულ-ოსური ურთიერთობების განვითარების პერსპექტივები თანამედროვე ჭრილში"		თბილისი	6
38	გოგიაშვილი, ელენე	კულტურული კონტაქტების როლი ფოლკლორის ნაციონალურ რეპერტუარში (ქართულ-ოსური სიუჟეტური პარალელები) მასალები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისთვის "მიგრაციული პროცესები და იდენტობათა		თბილისი	7

		ტრანსლაცია”			
39	ტრისტან მახაური	ქართული ხალხური ბალადა „ქვაჩადალაში თუშებსა“, ფოლკლორისტთა სამეცნიერო კონფერენციის თეზისები	№52	თბილისი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	3
40	ტრისტან მახაური	ხის საოჯახო ჯამ-ჭურჭლის ხვეწა ფშავში, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეცხრე საფაკულტეტო კონფერენციის თეზისები	მე-9 საფაკულტეტო კონფერენცია		
41	ტრისტან მახაური	აკაკი წერეთლის „გამზრდელი“ და მიხეილ ლაკერბაის „არგუნ სეიდიყი“ (შედარებითი ანალიზი), მე-9 საერთაშორისო სიმპოზიუმის („ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა“) თეზისები	IX საერთაშორისო სიმპოზიუმი ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები	თსუ გამომცემლობა	2 2
42	ტრისტან მახაური	ზმა აკაკის პოეზიასა და ხალხურ სიტყვიერებაში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის („აკაკი წერეთელი და მისი ეპოქა“) მასალები	კრებული მიძღვნილი აკაკი წერეთლის დაბადებიდან 175 და გარდაცვალებიდან 100 წლის იუბილესადმი	თსუ გამომცემლობა	3
43	ტრისტან მახაური	მეორე გამოცემის წინასიტყვაობა კრებულისა: „ვახტანგ თვარელაშვილი, ლექსებით მომიგონებენ“	მეორე გამოცემა	თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“	
44	ტრისტან მახაური	მიხეილ ლაკერბაის ნოველა „სტუმარი“ და მისი ლიტერატურულ-ფოლკლორული	№ 7		

		პარალელები, ჟურნალი „ცისკარი“			
45	ნესტან სულავა	ქართული ჰიმნოგრაფია, როგორც საისტორიო წყარო და პოლიტიკური იდეოლოგიის ერთ-ერთი საფუძველი	**საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, შრომები, IX**	ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	**125-142**
46	ნესტან სულავა	„წმ. ევსტათი მცხეთელის წამების“ სახისმეტყველება	კრებული: ელდარ მამისთვალიშვილი _75.	„ჯეოპრინტი“	560-583
47	ნესტან სულავა	ვნების კვირის საგალობლების სახისმეტყველება და დავით გურამიშვილი	„მრავალთავი“, 24.	თბილისი, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.	138-154.
48	ნესტან სულავა	წმ. მარიამ მაგდალინელის ხატ-სახის ინტერპრეტაციისათვის ქართულ ქრისტიანულ ტრადიციაში (წმ. მარიამ მაგდალინელის პიროვნების არასწორი ინტერპრეტაციის გამო: წყაროთმცოდნეობითი კვლევა) (ნანა გონჯილაშვილის თანაავტორობით).	„ანალები“, 11.	თბილისი, საქართველოს ისტორიის, ეთნოლოგიისა და რელიგიის კვლევის ცენტრი.	270-332
49	ნესტან სულავა	«Вепхисткаосани» Шота Руставели или Путь к мировой гармонии. Послесловие, коментарий, примечания к подстрочнику и словарь. Коментарий к тексту поэмы Руставели. Примечания к подстрочнику	Шота Руставели, Витязь в тигровой шкуре, перевод с грузинского, Санкт-Петербург	გამომც.: Symposium.	235-274; 321-324.
50	ნესტან სულავა	Lion Symbol in Folk Tradition and Shota Rustaveli’s “The Knight in the Tiger’s Skin”	Shota Meskhia State teaching University of Zugdidi Annual Scientific Work 2015. Book of Scientific Works of the Conferense of Belief Narrative Network of ISFNR	Zugdidi.	61-69.
51	ნესტან სულავა	ტიმოთე გაბაშვილი შოთა რუსთველის შესახებ	გულანი, №17. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლების, ჰუმანიტარულ და	ახალციხის უნივერსიტეტი.	62-80

			სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი		
52	ელგუჯა ხინთიბიძე	*ვეფხისტყაოსნის* მხატვრული სახეები ინგლისური ლიტერატურული კრიტიკის თვალთახედვით	მე-9 საერთაშორისო სიმპოზიუმი: ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა, მასალები.	თბილისი	9 გვ.
53	ელგუჯა ხინთიბიძე	იმოჯენი თუ ინოჯენი (შექსპირის *ციმბელინის* ოქსფორდული გამოცემის ერთი კონიექტურის შესახებ); ჟურნალი *ქართველოლოგი*	№ 23	თბილისი	24 გვ.
54	ელგუჯა ხინთიბიძე	დიდი სიახლე მედიევისტიკაში და ქართული ფილოლოგია (ვარლაამ და იოასაფი – ქართული გონი ევროპულ ცივილიზაციაში).	საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი, I, მასალები.	თბილისი	4 გვ.
55	ელგუჯა ხინთიბიძე	შოთა რუსთაველი (საენციკლოპედიო ნარკვევი). ქართველოლოგი	№ 24	თბილისი	21 გვ.
56	ელგუჯა ხინთიბიძე	*ვეფხისტყაოსნის* სტროფული კომენტარები -1; ქართველოლოგი	№ 24	თბილისი	4 გვ.

ანოტაციები ქართულ ენაზე

მაკა ელბაქიძე:

1. **იოზეფ როთი და ბიბლიური ტრადიცია**

"თანამედროვეობა იმით განსხვავდება წარსულისგან, რომ ის აღიქვამს წარსულს ისეთი სიცხადით და ისეთ ასპექტში, რომელიც თვით ამ წარსულისთვის მიუწვდომელია", – წერდა თომას ელიოტი 1919 წელს გამოქვეყნებულ ესეში "ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა". აქედან გამომდინარე, ყველა მწერალი "ტრადიციულია", რაც იმას ნიშნავს, რომ ლიტერატურული შემოქმედება, გარკვეულწილად, წარსულის არქეოლოგიურ რეკონსტრუქციასაც გულისხმობს. მე-19 საუკუნის მიწურულს ავსტრია-უნგრეთის პერიფერიაზე დაბადებული იოზეფ როთისთვის, ალბათ, ძალზე ძნელი იყო საკუთარი კულტურული ფესვების ძიება. სამი განსხვავებული კულტურის (ებრაული, ავსტრიული, რუსული) "გზაჯვარედინზე" მყოფ მწერალს ბედმა კიდევ ერთი გზასაყარის პირისპირ დგომა არგუნა წილად. 1919 წელს დაინგრა იმპერია და როთმა, ისევე როგორც ათასობით მისმა

თანამემამულემ, დაკარგა მოქალაქეობა, ნაციონალური კუთვნილება, სამშობლო და თავისი შორეული წინაპრების მსგავსად "სამუდამო მოხეტიალედ" იქცა. მომავალმა მწერალმა, რომელმაც უდიდესი ნებისყოფის წყალობით შეძლო, გამკლავებოდა სიღატაკეს, მიეღო სრულყოფილი განათლება ევროპის ერთ-ერთ წამყვან უნივერსიტეტში, 3-4 წელიწადში მიაღწია იმას, რასაც ზოგჯერ ათწლეულები სჭირდება – აღიარებას, მკითხველისა და კრიტიკის კეთილგანწყობას, მატერიალურ კეთილდღეობას, ოჯახურ ჰარმონიას. მიუხედავად იმისა, რომ პატივმოყვარეობა უცხო იყო ამ თავმდაბალი და კეთილშობილი ადამიანისთვის, რომელიც უშურველად გასცემდა და სანაცვლოდ არაფერს ითხოვდა, მისი კეთილდღეობა, ბიბლიური იობისა არ იყოს, ერთი ხელის მოსმით დაინგრა (ცოლის მძიმე ავადმყოფობა, ევროპის თავზე აღმართული ნაციზმის აჩრდილი, ისევ უსამშობლობა, ისევ ხეტიალი, ლოთობის სენი). აწმყო მისთვის სასტიკი და დაუნდობელი აღმოჩნდა, ამიტომ მწერალმა დროებით "დაივიწყა" თანადროული საჭირბოროტო პრობლემები და "ტრადიციულ", სამარადისო თემებს მიმართა. წერალი "უბრუნდება" თავის პირვანდელ ფესვებს, ბიბლიას და ძველი აღთქმის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული "პერსონაჟის" კვალობაზე ქმნის "ახალ იობს", ტანჯვაში გამოტარებული რწმენის სიდიადის კიდევ ერთ განსახოვნებას. ეს რომანი კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ მწერალს თავის გმირებზე არანაკლებ სჭირდება ნუგეშისცემა, პოეტური გამონაგონის ზემოქმედებით იმ შინაგანი საყრდენის მოპოვება, რომელსაც ადამიანს ანიჭებს მითი, უტოპია, ურყევობის რწმენა.

2. ტანსაცმლის სოციოკულტურული და რიტუალურ-სიმბოლური ფუნქციისთვის შუასაუკუნეების მწერლობაში ("ვეფხისტყაოსნისა" და ევროპული რაინდული რომანის მაგალითზე)

ტანსაცმლის ტარებისა და საკვების მიღების ეტიკეტს ნებისმიერი ცივილიზებული საზოგადოების კულტურაში უმნიშვნელოვანესი ადგილი განეკუთვნება. ამ თვალსაზრისით გამოირჩევა შუასაუკუნეები, რომელსაც პირობითად "რიტუალიზირებული ეპოქა" შეიძლება ვუწოდოთ. ტანისამოსს, "სოციალური ცხოვრების ამ სიმბოლურ ჟესტს" (ლე გოფი), ფასეულობათა სისტემაში უმნიშვნელოვანესი ადგილი ეჭირა. ტანსაცმელი არა მარტო ათბობდა ან ამშვენებდა შუასაუკუნეების ადამიანს, არამედ მიჩეული იყო პიროვნების სოციალური სტატუსის განმსაზღვრელ უმთავრეს კრიტერიუმად. ტანსაცმლის ტარების ეტიკეტის როლის შესწავლა ისევე მნიშვნელოვანია ხელოვნებასა და ლიტერატურაში, როგორც სოციალურ პრაქტიკაში, ვინაიდან ლიტერატურულ ძეგლებში ამ ეტიკეტით განისაზღვრებოდა არა მარტო პერსონაჟთა საზოგადოებრივი მდგომარეობა, არამედ ხდებოდა გარკვეული სიუჟეტური სვლების სიმბოლიზირება და ნარატივის მნიშვნელოვანი მომენტების აქცენტირება. ევროპულ რაინდულ რომანში, ისევე როგორც ვეფხისტყაოსანში, ტანისამოსს აქვს როგორც სოციოკულტურული და სოციოპროფესიონალური, ისე რიტუალურ-სიმბოლური ფუნქცია. შესაბამისად: ა) მისი საშუალებით ხდება პიროვნების (ამ შემთხვევაში პერსონაჟის) იდენტიფიცირება საზოგადოებაში, მისი სოციალური სტატუსისა და როლის ხაზგასმა; ბ) ის (ძვირფასეულობასთან ერთად) გვევლინება ფეოდალური საზოგადოების უმთავრესი პრინციპის – ჩუქება-ბოძების – უცილობელ ატრიბუტად; გ) სიმბოლურად ასახავს ფეოდალური საზოგადოებისთვის დამახასიათებელ გარკვეულ რიტუალურ თუ საწესჩვეულებო ნორმებს; დ) მთელ რიგ შემთხვევებში ტანსაცმლის სიმბოლიკას აქვს არა იმდენად წმინდა ეთნოგრაფიულ-რიტუალური, რამდენადაც მხატვრულ-ესთეტიკური დატვირთვა. შუასაუკუნეების რაინდულ რომანს კურტუაზიულთან ერთად ავანტიურულსაც უწოდებენ, ვინაიდან ნარატივის მნიშვნელოვანი ნაწილი საკარო ცივილიზაციისგან მოშორებით, ე.წ. "სხვის სივრცეში" (ველური ტყე, ზღვა და ა.შ) ვითარდება. ნარატივში ავანტურული ელემენტის შემოტანასთან ერთად სამოსის ტარების კოდექსი მინიმალურ როლს ასრულებს. სხვაგვარად შეუძლებელიცაა, რადგან მოქმედება აქ ვითარდება ტყეში, ე.წ. ველურ გარემოში, სადაც რაინდს ელის ნამდვილი განსაცდელი,

სადაც არ არსებობს საჭიროება სამოსის ტარების წესების დაცვისა და ძვირფასი ტანისამოსის დემონსტრირებისა. ტყეში უმთავრეს მნიშვნელობას იძენს მეომრის/მონადირის სამოსელი.

ხეტიალი/ძიების მოტივის ამოწურვის შემდგომ მოქმედება უბრუნდება საწყის წერტილს (სენიორის კარი), რომელიც პროტაგონისტისთვის ფამილიარულთან ერთად კომფორტულ (ცივილიზებულ) გარემოში დაბრუნებას მოასწავებს. შესაბამისად, ნარატივის ამ მონაკვეთში საპარადო სამოსის დემონსტრირებას, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში ჩუქება-ბოძების მოტივთანაა გადაჯაჭვული, მოსდევს ე.წ. გასტრონომიული აპოთეოზი, თავისებური დეკლარირება საკარო ცივილიზაციისთვის დამახასიათებელი ფუფუნებისა.

3.“ვეფხისტყაოსნის” ახალი ინგლისური თარგმანის გამოსვლის გამო

სტატიაში საუბარია ამერიკელი მთარგმნელისა და მწერლის, ლინ კოფინის მიერ განხორციელებულ “ვეფხისტყაოსნის” ინგლისურენოვან თარგმანზე.

ლელა ხაჩიძე:

1. თეოდორე სტუდიელი ძველ ქართულ მწერლობაში

ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ქართული თარგმანები ყურადღებას იმსახურებს შუა საუკუნეების კარგად ცნობილი ავტორების შემოქმედების შესწავლისათვის. მათ შორისაა IX საუკუნის თვალსაჩინო საეკლესიო მოღვაწისა და ჰიმნოგრაფის – თეოდორე სტუდიელის მემკვიდრეობა.

თეოდორე სტუდიელის სახელს უკავშირდება ხატმბრძოლობის საბოლოოდ დაძლევა, რაც მისი ცხოვრების მთავარი მიზანი იყო. მან შეადგინა ტიპიკონი სტუდიის მონასტრისთვის ამ წმინდა მამას უკავშირდება მრავალრიცხოვანი ქადაგებები და ეპისტოლეები. მა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჰიმნოგრაფიის განვითარებაშიც.

თეოდორე სტუდიელი კონსტანტინოპოლური პერიოდის ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი მოღვაწეობა ქმნის მთელ ეპოქას, ახალ ეტაპს ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ისტორიაში. შემდგომდროინდელი ჰიმნოგრაფები, ფაქტობრივად, მისი მიმდევრები და მიმბაძველები იყვნენ.

თეოდორე სტუდიელის გამოჩენა ქართულ ჰიმნოგრაფიაში უკავშირდება ე. წ. “ახალ იადგარს”. ამ სახის კრებული ბიზანტიაში შეიქმნა იოანე დამასკელის მიერ ჰიმნოგრაფიაში ჩატარებული რეფორმის შემდეგ. ამ კრებულში შესული ჰიმნოგრაფიული რეპერტუარი შექმნილია უკვე ახალი საზომით - ბიზანტიური ლექსით, ძლისპირთა საზომებზე. ტექსტებს ახლავს რიტმულ პუნქტუაცია და ნევმები. ეს კრებული ქართულად IX საუკუნეში უნდა იყოს თარგმნილი. სწორედ “ახალ იადგართანაა” დაკავშირებული თეოდორე სტუდიელის სამსაგალობელთა ციკლის შემოსვლა ქართულ ჰიმნოგრაფიაში. ამის შემდეგ თეოდორე სტუდიელის სახელს ვხვდებით I ქართულ “მარხვანში”, რომელიც X საუკუნის პირველ ნახევარში “იადგარიდან” ცალკე კრებულად იქნა გამოყოფილი. ქართულ ხელნაწერებში შესული აღმოჩნდა თეოდორე სტუდიელის “მარხვანისათვის” განკუთვნილი ვრცელი რეპერტუარი - 35 სამსაგალობელი, მცირე ფორმის საგალობლები და “მეორედ მოსლვისადმი” მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული კანონი.

თეოდორე სტუდიელის საგალობლები შეტანილია საქართველოს ეკლესიის უდიდესი ავტორიტეტების – გიორგი მთაწმიდელისა და ეფრემ მცირის მიერ შედგენილ კრებულებში. ეს საგალობლები დღესაც სრულდება ღვთისმსახურებაში.

ნაშრომში საგანგებოდაა შესწავლილი თეოდორე სტუდიელის ჰიმნოგრაფიული კანონი, რომელიც “მეორედ მოსვლას” ეძღვნება. საგალობელი სამჯერაა თარგმნილი ქართულად ექვთიმე და გიორგი ათონელების, აგრეთვე არსენ იყალთოელის მიერ. როგორც ირკვევა, ამ

თემაზე წერისას ქართველი ჰიმნოგრაფები ხშირად მიმართავენ თეოდორე სტუდიელის ამ კანონს.

2. მცირე ფორმის საგალობლები VIII-X საუკუნეების ქართულ, ბიზანტიურ და სლავურ ჰიმნოგრაფიაში"

მცირე ფორმის საგალობლები ლიტურგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. სწორედ ამ ფორმის საგალობლებს უკავშირდება უშუალოდ ჰიმნოგრაფიის წარმოშობა. სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა შესწავლილი „კონტაკიონის" სახელით ცნობილი მცირე ფორმის საგალობელი, რომლის ფართოდ დამკვიდრება ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში უკავშირდება რომანოზ მელოდოსის სახელს.

უძველესი პერიოდის სხვა მცირე ფორმის საგალობელთა კვლევისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმსახურებს მათი ქართული თარგმანები, რომლებიც მნიშვნელოვან ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიულ კრებულებში - „უძველეს იადგარებსა" და "მარხვანებშია" შესული.

ქართველ ჰიმნოგრაფთა შორის მცირე ფორმის საგალობელთა სიმრავლით გამოირჩევა იოანე მინჩხი (X საუკუნის I ნახევარი). დღეისათვის ქართულ ხელნაწერებში გამოვლენილია მინჩხის 100-ზე მეტი მცირე ფორმის საგალობელი, რომლებიც გამოირჩევა თეოლოგიური და მხატვრული თვალსაზრისით. მათი უმეტესობა განკუთვნილია "მარხვანისათვის" და ითვალისწინებს ამ კრებულისათვის დამახასიათებელ რიგ მოთხოვნებს. ბერძნულიდან თარგმნილ კრებულში, მცირე ფორმის საგალობელთა სახით, იოანე მინჩხმა შეიტანა ორიგინალური, ქართული ფენა. ეს იყო ბერძნულიდან თარგმნილი კრებულის "გაქართულების" იშვიათი შემთხვევა ქართულ ჰიმნოგრაფიაში.

მსგავს მოვლენას ვხვდებით X საუკუნის ბულგარულ ჰიმნოგრაფიაში. XI საუკუნის ხელნაწერში - "ბიტოლის ტრიოდიონი" შესულია ორიგინალური – სლავური საგალობლების მთელი ციკლი – 80-ზე მეტ მცირე ფორმის საგალობელი, რომელთა ავტორია X ს-ის მოღვაწე – კონსტანტინე პრესლაველი. ის იყო თვალსაჩინო წარმომადგენელი პრესლავის ლიტერატურული სკოლისა. მისი სახით X ს-ის ბულგარეთს ჰყავდა უნივერსალური მოღვაწე, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ბულგარული სასულიერო მწერლობის რამდენიმე დარგს. მთელი მისი შემოქმედება ეროვნული ნიშნითაა აღბეჭდილი.

მცირე ფორმის საგალობელთა შორის ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში ყურადღებას იქცევს ანდრეა პიროსის „იდუმალებით მოცული" პიროვნება (VIII საუკუნე). მისი შემოქმედების ძირითად ნაწილსაც წარმოადგენს „მარხვანისათვის" განკუთვნილი 85 მცირე ფორმის საგალობელი. ანდრეა პიროსის ყველა ეს სტიქარონი „თვითძლისპირია" - ტექსტებთან ერთად, მათი რიტმულ-მელოდიური საზომებიც ამავე ავტორს ეკუთვნის. ეს საგალობლები ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის საუკეთესო ნიმუშებადაა მიჩნეული. სამივე ავტორის საგალობლები შექმნილია იერუსალიმური ტრადიციის მიხედვით და საერთო ნიშნებთან ერთად, გამოირჩევა მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალიზმით.

ნანა გონჯილაშვილი:

1. ნაშრომში – „ნათლის სვეტის" პარადიგმული სახისმეტყველება გ.ლეონიძის შემოქმედებაში – დაძებნილი და შესწავლილია აღნიშნული პარადიგმის ნიმუშები გ.ლეონიძის მხატვრულ ნააზრევში. ლექსებში – „დავით აღმაშენებელს" და „აკაკისადმი" – გამორჩეულ პიროვნებათა მიმართ მოხმობილი „საქართველოს სვეტი" და „ნათელში მდგარი სვეტი" ბიბლიურ არქეტიპის („ცეცხლის სვეტისა" და

„ღრუბლის სვეტის“) შინაარსითაა გასააზრებელი; ლექსი „სვეტიცხოველი“ კი მრავალგვარი წაკითხვის შესაძლებლობას ქმნის. მასში შესაძლოა, მითოსური, ქრისტიანული თუ საკუთრივ მხატვრული განსახოვნების ნაკადები იგულისხმებოდეს.

2. ნაშრომში – „ნათლის სვეტის“ პარადიგმა „ვეფხისტყაოსანში“ (XII-XVIII ს.ს-ის ქართული მწერლობის თხზულებათა განხილვის კონტექსტში) – შეძლებისდაგვარად დაძებნილი და შესწავლილია ზემოაღნიშნულ ეპოქათა მწერლობის ნიმუშებში მოხმობილი „ნათლის სვეტის“ პარადიგმა, წარმოჩენილია მათი მიმართებები ბიბლიურ არქეტიპებთან, გამოვლენილია მათი თავისებურებები, ახლებური გააზრებები და ინტერპრეტაციების ცდები. აღნიშნულია, რომ „ნათლის სვეტის“ პარადიგმა ქრისტიანობის სიმბოლო და ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეალების გამომხატველია. იგი ისტორიული პირისა და გამონაგონი პერსონაჟის პიროვნული სრულყოფილების საჩვენებლადაა მოხმობილი და ამასთანავე, ორპლანიანი დატვირთვის მქონეა.

3. ნაშრომში – „ნათლის სვეტი“ – სიმბოლო სულიერი ნათლისა და XX ს-ის ქართული მწერლობა – შეძლებისდაგვარად, დაძებნილი და წარმოჩენილია „ნათლის სვეტის“ პარადიგმა XX ს-ის ქართველ მწერალთა (გ.ტაბიძის, ტ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, ნ. სამადაშვილის, ა. კალანდაძის, ი. ნონეშვილის) შემოქმედებაში. შესწავლილი და განხილულია აღნიშნული პარადიგმის სახისმეტყველება, წარმოჩენილია მისი მიმართებანი ბიბლიურ არქეტიპებთან, გამოვლენილია თავისებურებები, ახლებური გააზრებები და ინტერპრეტაციების ცდები. აღნიშნულია, რომ ბიბლიურთან ერთად, შესაძლოა, მასში მითოსური, ქრისტიანული თუ საკუთრივ მხატვრული განსახოვნების ნაკადები იგულისხმებოდეს. ამასთანავე, გამოკვეთილია „ნათლის სვეტის“ პარადიგმა ქრისტიანობის სიმბოლო და ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეალების გამომხატველია. თხზულებათა განხილვა კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ „ნათლის სვეტის“ სიმბოლო ქართული მწერლობის მუდმივად თანამდევი ფემომენია და იგი მრავალგვარი წაკითხვის შესაძლებლობას ქმნის.

4. ნაშრომში – „ნათლის სვეტი“ – სიმბოლო სულიერი ნათლისა და XX ს-ის ქართული მწერლობა – შეძლებისდაგვარად, დაძებნილი და წარმოჩენილია „ნათლის სვეტის“ პარადიგმა XX ს-ის ქართველ მწერალთა (გ. ტაბიძის, ტ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, ნ. სამადაშვილის, ა. კალანდაძის, ი. ნონეშვილის) შემოქმედებაში; შესწავლილი და განხილულია აღნიშნული პარადიგმის სახისმეტყველება, წარმოჩენილია მისი მიმართებანი ბიბლიურ არქეტიპებთან, გამოვლენილია თავისებურებები, ახლებური გააზრებები და ინტერპრეტაციების ცდანი. თხზულებათა ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი – რიგ შემთხვევებში „ნათლის სვეტის“ პარადიგმა ტრადიციულია და იგი უფლის მყოფობის ნიშან-სვეტია, ღვთაებრიობის სიმბოლო და სახე-იდეა; „ნათლის სვეტის“ იგივე „სვეტი-ცხოვლის“ პარადიგმა ღვთაებრივი სიწმინდის, ღვთაებრივი მადლის გადმოსვლის ნიშან-სვეტია, რომელიც პოეტს ზეაღმსწრაფი სულიერებით მსჭვალავს და უხილავ გრძნობა-განცდებთან აზიარებს; „ნათლის სვეტის“ პარადიგმა ქრისტიანობის სიმბოლო და ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეალების გამომხატველია. „ნათლის სვეტის“ ამგვარი გააზრება გარკვეულწილად ბიბლიურ პარადიგმას მიჰყვება და კიდევ ერთხელ გამოკვეთს აზრს, რომ სამშობლოსათვის შეწირულ ერისშვილთა სიცოცხლე ღვთივკურთხეულია და რომ „ნათლის სვეტის“ თავჩენისათვის დრო-სივრცული ზღვარი არ არსებობს. ზოგიერთი შემოქმედის მიერ გამორჩეული პიროვნების „ნათლის სვეტის“ სახექმნადობით წარმოდგენა განსხვავდება აგიოგრაფთა განსახოვნებისგან და ამგვარი გააზრებით იგი რუსთაველის შემოქმედებას უკავშირდება. გარკვეულ შემთხვევებში ქართველ მწერალთა შემოქმედებაში წარმოჩენილი „ნათლის სვეტი“ ერთობ რთული

სახისმეტყველების მქონე სახე-სიმბოლოა, რომელიც ორპლანიან წაკითხვას ითხოვს – ჰორიზონტალურსა და ვერტიკალურს; ამასთანავე, ბიბლიურთან ერთად, შესაძლოა, მასში მითოსური, ქრისტიანული თუ საკუთრივ მხატვრული განსახოვნების ნაკადები იგულისხმებოდეს.

ნაშრომში, ამგვარ სახეთა კვლევისას, შეძლებისდაგვარად, გახსნილი და განმარტებულია მათი სიმბოლური მნიშვნელობები და საკითხთან დაკავშირებული სხვადასხვა სავარაუდო მოსაზრება და მსჯელობაა წარმოდგენილი. თხზულებათა განხილვა კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ „ნათლის სვეტის“ სიმბოლო ქართული მწერლობის მუდმივად თანამდევი ფემომენია და იგი მრავალგვარი წაკითხვის შესაძლებლობას ქმნის.

5. ნაშრომში – „ნათლის სვეტის“ პარადიგმა აკაკი წერეთლის შემოქმედებაში – დაძებნილი და შესწავლილია ა. წერეთლის შემოქმედებაში აღნიშნული პარადიგმის განსახოვნებანი და ბიბლიური არქეტიპის სახისმეტყველებითი გარდასახვანი. ამ მიზნით განხილულია პოემა „თორნიკე ერისთავი“, რომელშიც „სვეტი-ცხოველის“ შინა-არსი ახალი ხედვითაა წარმოჩენილი – სიკეთე ნათლის სვეტადაა მიჩნეული; ლექსი – „სიზმარი“, რომელშიც „ნათლის სვეტი“ სიზმრად ნანახის ბოლოკეთილობის, თამარ მეფის სიტყვების დამოწმების სიმბოლოა; მოთხრობა – „ორი სიზმარი“, რომელშიც „ნათლის სვეტის“ პარადიგმის თავჩენა თეოფანიის მაუწყებელია. იგი „ჭეშმარიტების სვეტისა“ და „ცეცხლის სვეტის“ ბიბლიურ პარადიგმის კვალობაზეა გააზრებული; მოთხრობა – „ბაში-აჩუკი“, რომელშიც დაღუპულ გმირებთან „ნათლის სვეტის“ გამოჩენა უფლისგან მათი სიწმინდის დამამოწმებელია; ლექსი „შეყვარებული დემონი და ანგელოსი“, რომელშიც „ნათლის სვეტი“, „სხივის კიბე“ და მასზე გადმოსული ანგელოზი კოსმიურ იერარქიას განასახოვნებს და ბიბლიური სწავლების შესატყვისადაა მოწოდებული; ლექსი „ხატის წინ“, რომელშიც „ცის სვეტი“ პოეტის სულიერი ყოფის ნათლის სვეტად აღიქმება. სანთელი და მისი ნათელი მიემართება „ცის სვეტსა“ და ნათლის სვეტს, ორივე – თავად პოეტს. აკაკი „ნათლის სვეტის“ პარადიგმას ბიბლიური არქეტიპის შინაარსით და განსხვავებული ინტერპრეტაციითაც წარმოაჩენს.

6. ნაშრომში – „ნათლის სვეტის“ სიმბოლო ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შემოქმედებაში – დაძებნილი და შესწავლილია „ნათლის სვეტის“ სიმბოლო და მისი პარადიგმული სახისმეტყველება ილიასა და აკაკის თხზულებებში, წარმოჩენილია მათი ბიბლიური არქეტიპები, განხილულია მიმართებანი, გამოვლენილია ახალ სახექმნადობათა თავისებურებანი. მოძიებული და შესწავლილი მასალის საფუძველზე იკვეთება შემდეგი –ილიას შემოქმედებაში „ნათლის სვეტი“, „სვეტი-ცხოველი“, ღვთისჩენის განსახოვნებაა. მზის სხივის სვეტი იგივე ნათლის სვეტია, ღვთისჩენის სასწაული, ღვთიური ნების გამოვლინება („განდეგილი“); „სვეტი ცხოველი“ ქართველთა სარწმუნოებრივ-ეროვნული იდეალების დედა-ბოძია, ჭეშმარიტებისა და სიბრძნის სვეტია, რომლის გაცხოველება, პოეტის აზრით, ქართველთა კვლავ აღყვავების, აღდგინების ნიშან-სვეტად წარმოდგება („აჩრდილი“). აკაკის შემოქმედების მიხედვით, „ნათლის სვეტის“ სიმბოლო არაერთგზის ვლინდება, კერძოდ, პოემაში – „თორნიკე ერისთავი“ – სიკეთე „სვეტი-ცხოველია“, „სვეტი-ცხოველი“ უფლის ნიშან-სვეტია; შესაბამისად, სიკეთე უფლისმიერია და ღმერთი სახიერია. ამგვარად, ა. წერეთლის გააზრებით, ადამიანის მიერ ქრისტიანობის დიდებისათვის აღსრულებული კეთილი საქმე – „ქრისტიანობის სვეტიცხოველი“ – უფლისათვის გაღებული „ძღვენია“; ლექსში – „შეყვარებული დემონი და ანგელოსი“ – „სხივის კიბე“, ანუ „ზეციური კიბე“, მასზე „გადმოშვებული“ „ფრთებელვარე“

ანგელოზი და ნათლის სვეტი – კოსმიურ იერარქიას გულისხმობს და ბიბლიურ პარადიგმათა შესატყვისადაა მოწოდებული; ლექსში – „ხატის წინ“ – „ცის სვეტი“ სიმყარის, უძრაობა-მდგრადობის მნიშვნელობითაა მოხმობილი და პოეტი მას, ლექსის შინა-არსის კვალობაზე, თავის ფსიქო-სომატურ მდგომარეობას შეამსგავსებს. ეს „ცის სვეტი“, პოეტის ფიზიკური ყოფის შესატყვისი, ამავდროულად მისი სულიერი ყოფის ნათლის სვეტად აღიქმება; ლექსში – „სიზმარი“ – ნათლის სვეტისა და ცისარტყელას განსახოვნებათა ურთიერთშერწყმა „ტრადიციულ“ ღვთისმეტყველებას ეფუძნება (ბიბლიის კვალობაზე ღვთის აღთქმის დამამოწმებელი სიმბოლოა და რომელიც „სიზმარში“ თამარ მეფის სიტყვათა დამამოწმებელია). „ნათლის სვეტად“ გადმოშვებული ცისარტყელა თითქოს სიზმრად ნანახის ბოლოკეთილობის, თამარის სიტყვების დამოწმების სიმბოლოა, იმავდროულად – სიზმრის დასრულების სიმბოლო. ნათლის სვეტად გადმოსული ცისარტყელა რეალურსა და ირეალურს შორის ერთგვარი ზღვარია, მიწიერისა და ზეციურის გამყოფი მიჯნაა, რომლის ჩამოსვეტება-განფენა სიზმრად ნანახის ღვთაებრივთან წილნაყარობის, მისი დიდების შარავანდედთან ზიარების მაჩვენებელია; მოთხრობაში – „ორი სიზმარი –„ნათლის სვეტის“ თავჩენა თეოფანიის მაუწყებელია. ა. წერეთლის მიერ მოხმობილი „ნათლის სვეტი“ „ჭეშმარიტების სვეტის“ და „ცეცხლის სვეტის“ ბიბლიურ პარადიგმათა კვალობაზეა გააზრებული – „მზე სიმართლისა“ აღმობრწყინდება და თავის მორწმუნეთ „ნათლის სვეტით“ განანათლებს, ურწმუნოთ და ცოდვილთ (ისრაელთა მდევნელ ეგვიპტელთა მსგავსად) კი „ცეცხლის სვეტით წარწყმედს; მოთხრობაში – „ბაში-აჩუკი“ – უფალი ნათლის სვეტის ჩენით ამოწმებს, რომ მეომრები მისი წმინდანები არიან. „ნათლის სვეტის“ პარადიგმის ამგვარი გააზრება, რომელიც ზემოგანხილულ აგიოგრაფიულ თხზულებებში არაერთგზისაა გამოვლენილი, ბიბლიურ არქეტიპის შინა-არსითაა მოწოდებული.

7. ნაშრომში – წმ.მარიამ მაგდალინელის ხატ-სახის ინტერპრეტაციისათვის ქრისტიანულ ტრადიციაში (წმ.მარიამ მაგდალინელის პიროვნების არასწორი ინტერპრეტაციის გამო: წყაროთმცოდნეობითი კვლევა) –წმ. მარიამ მაგდალინელის ხატ-სახეზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ მისი პიროვნების მიმართ მართლმადიდებლურ და კათოლიკურ ეკლესიებში დიდი ხნის მანძილზე სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება არსებობდა, კერძოდ, მართლმადიდებლობა მას ყოველთვის მოციქულთა სწორ წმინდა მენელსაცხებლე დედად აღიარებდა და აღიარებს; კათოლიკური სამყარო მეექვსე საუკუნიდან მოყოლებული 1969 წლამდე მას მრუშ, მონანიე დედაკაცად მიიჩნევდა. ევანგელური მონათხრობით, წმ. მარიამ მაგდალინელი უფალმა განკურნა შვიდი ეშმაკისგან (ლ. 8, 2; მრ. 16, 9). ამის შემდგომ მარიამი ყველგან თან ახლდა მაცხოვარს (მრ. 15, 40; ლ. 8, 3), ქრისტესთან ერთად გაიარა გოლგოთის გზა და ჯვარცმაც საკუთარი თვალით იხილა (მ. 27, 56 და სხვ.); ქრისტეს დაფლვასაც ესწრებოდა (მ. 27, 61 და სხვ.) და ჯვარცმიდან მესამე დღეს, ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღეს მის აკლდამასთან ნელსაცხებლებითა და საკმევლით მივიდა (მ. 28, 1; მრ. 16, 1-8). მან პირველმა იხილა აღმდგარი მაცხოვარი, პირველმა ირწმუნა და პირველმა აუწყა ქრისტეს მოწაფეებს მაცხოვრის სასწაულებრივი აღდგომა (ი. 20, 11-18).კათოლიკური ეკლესიის ტრადიციით, მას დიდი ხნის მანძილზე აიგივებდნენ უსახელო მონანიე ცოდვილთან, ასევე – ერთ უსახელო ქალთან, რომელმაც იესოს თავზე ნელსაცხებელი დაასხა სვიმეონ კეთროვნის სახლში, ბეთანიაში (მ. 26, 6-7, მ. 14, 3-9), და მარიამთან, ლაზარესა და მართას დასთან (ი. 12, 1-8). ამას ერთვოდა მრავალი ლეგენდაც. მოგვიანებით, მაგდალინელის ცხოვრებას დაემატა ზოგიერთი სიუჟეტი მონანიე ცოდვილის – მარიამ მეგვიპტელის (V ს.) – ცხოვრებიდან, რამაც მაგდალინელის მეძავ ქალად წარმოდგენას კიდევ უფრო მეტად გაუმყარა საფუძველი. მარიამ მაგდალინელის სახის სწორი ინტერპრეტაცია მოითხოვს მეტი ყურადღების მიქცევას წყაროებისათვის, რომლებიც საკმაოდ მოიძებნება ქართულ და უცხო ენებზე. ევანგელურ თხრობაში იესოს მირონცხების ეპიზოდში მონაწილე სხვადასხვა ქალის (ლუკას მიხედვით, ცოდვილი ქალი, იოანეს მიხედვით – მარიამი ბეთანიიდან) გაიგივება მაგდალინელთან საბოლოოდ რომის პაპის, წმ. გრიგოლ დიდის, „შემოდგომის ქადაგებაში“ აისახა 591 წელს, ხოლო სახარებებში მარიამ მაგდალინელისა და მარიამ ბეთანიელის აღუნიშნავი ცოდვა განიმარტა როგორც მრუშება. მისი ამგვარი ინტერპრეტაცია აღორძინების ხანისა და

მომდევნო პერიოდის მხატვრობაშიც დამკვიდრდა. კათოლიკურმა ეკლესიამ XX ს-ში სცადა, გაესწორებინა აღნიშნული შეცდომა და 1969 წლის რეფორმის შემდეგ ოვუს რდო-ს კალენდარში წმ. მარიამ მაგდალინელი უკვე აღარაა წარმოდგენილი „მონანიედ“. მიუხედავად ამისა, ხალხის ცნობიერებაში საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებული ტრადიციული შეხედულება (მაგდალინელი – მონანიე მრუში ქალი), რომელიც ხელოვნების მრავალი ნაწარმოების ზეგავლენითაც იყო განმტკიცებული, ძირითადად, უცვლელი დარჩა. ოქსფორდის ლექსიკონშიც კი სიტყვა „მაგდალინას“ „მონანიე მრუშის“ შინაარსი აქვს. კათოლიკური ეკლესიის მიერ წმ. მარიამ მაგდალინელის პიროვნების შებღალული სახელი გავრცელდა მართლმადიდებლურ სამყაროში, მაგ., პოეზიაში – მ. ცვეტაევა, ბ. პასტერნაკი, და სასულიეროთა შორის. ქართულ ცნობიერებაშიც, უმეტესწილად, წმ. მარიამ მაგდალინელი მეძავ ქალადაა მიჩნეული. დღესაც კი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ამბიონიდან ზოგიერთი მოძღვრის ქადაგებებში ხშირად წმ. მარიამ მაგდალინელი მოიხსენიება მრუშ ქალად, რომელსაც მიეტევა მძიმე ცოდვები. „წმინდანთა ცხოვრების“ III ტომშიც (თბ., 2001) წმ. მარიამ მაგდალინელის ცოდვათა შორის მრუშებაა აღნიშნული და ზოგჯერ ინტერნეტ სივრცის ქართულ საიტებზეც მაგდალინელის სახელთან მრუშება იხსენიება. ჩვენს გაკვირვებას იწვევს კათოლიკეთა მიერ დაშვებული და დამკვიდრებული ზემოაღნიშნული შეცდომის ჩვენს სინამდვილეში გავრცელება, რადგან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და ქართული ქრისტიანული კულტურა ამ საკითხში ოდითგანვე მიჰყვება კათოლიკე (საყოველთაო) ეკლესიის წეს-კანონებსა და ტრადიციებს, რასაც მოწმობს ქართულ ორიგინალურ და ნათარგმნ ეგზეგეტიკურ თხზულებებში, ქადაგებებსა და საგალობლებში მარიამ მაგდალინელის სახელის ევანგელური მონათხრობის მიხედვით წარმოდგენა-განსახოვნება, რაც, კათოლიკეთა შეხედულების საპირისპიროდ, სრულიად დაცლილია ამორალობისაგან და მაგდალინელის პიროვნება სახარების არც ერთ სხვა ქალთან არაა გაიგივებული. უწინარეს ყოვლისა, დავიმოწმეთ წმ. იოანე ოქროპირის მათესა და იოანეს სახარებების თარგმანებები, რომლებშიც განმარტებულია, თუ ვინაა წმ. მარიამ მაგდალინელი; ასევე, წმ. მარიამ მაგდალინელის ხატ-სახე, წმიდა მენელსაცხებლე დედათა შორის, წარმოჩენილია იოანე მინჩხის, კვირიკე-კურდანაის საგალობლებში, იოანე ბოლნელის, ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებებში, აგრეთვე, სულხან-საბა ორბელიანის „სამოთხის კარსა“ და ქადაგებებში. წმ. მარიამ მაგდალინელის ტრადიციული ხატ-სახე გაცოცხლებულია საერო მწერლობაშიც, კერძოდ, თეიმურაზ მეორის პოემაში „გაბაასება დღისა და ღამისა“, აკაკი წერეთლის ლექსებში. XX საუკუნის ლიტერატურაში (გრიგოლ რობაქიძე, ტიციან ტაბიძე, ალექსანდრ ბლოკი, სერგეი ესენინი, ანა ახმატოვა, მარინა ცვეტაევა, ანა კალანდაძე, დავით კიკვაძე) კი განსხვავებული, ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებები გამოვლინდა: შემოქმედთა ნაწილმა იგი ტრადიცულად, მოციქულთა სწორად აღიქვა, ხოლო ნაწილმა კათოლიკური ტრადიცია გაიზიარა და მრუშ, მონანიე დედაკაცად მიიჩნია. არამართლმადიდებლური ცნობიერების მქონე მეცნიერთა საკმაოდ დიდმა ნაწილმა ობიექტურად შეაფასა და წმ. მარიამ მაგდალინელის შესახებ აღნიშნა, რომ იგი არაა მონანიე მრუში დედაკაცი. ამ ფაქტს კათოლიკურ სამყაროში ჯერ კიდევ XVI საუკუნის დამდეგს მიაქცია ყურადღება ჟაკ ლეფევრ დ’ ეტაპლმა, მაგრამ მხოლოდ მეოცე საუკუნეში დაიწყო წმ. მარიამ მაგდალინელის ოფიციალურად ხსენება, როგორც მაცხოვრის მოწაფისა, საუკუნეების წინ დამკვიდრებული ტრადიციული მცდარი შეხედულებისაგან განსხვავებით. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ 1969 წლის რეფორმის შედეგად წმინდანის შესახებ VI საუკუნიდან მცდარად დამკვიდრებულ თვალსაზრისს ოფიციალურად აღარც კათოლიკური სამყარო იზიარებს, მაინც გაჭირდა სიმართლის აღიარება და წმ. მარიამ მაგდალინელის იმგვარ წმინდანად დასახვა, რომელიც არასოდეს ყოფილა მონანიე მრუში დედაკაცი, რაც XX საუკუნისა და XXI საუკუნის დამდეგის მართლმადიდებელი ქვეყნების ლიტერატურულ ტენდენციებში გამომჟღავნდა.

7. სტატიაში - წმ.მარიამ მაგდალინელის ხატ-სახის ინტერპრეტაციისათვის ქრისტიანულ ტრადიციაში - განხილული და მოკლედაა წარმოდგენილი წმ. მარიამ მაგდალინელის ხატ-სახე ქრისტიანულ ტრადიციაში, რომელზე დაკვირვებამაც აჩვენა, რომ მისი პიროვნების მიმართ მართლმადიდებლურ და კათოლიკურ ეკლესიებში დიდი ხნის მანძილზე სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება არსებობდა. ნაშრომი წყაროთმცოდნეობითი ხასიათისაა, მასში მოძიებულია ქართულ და უცხოურ წყაროებში დაცული ცნობები წმ. მარიამ მაგდალინელის შესახებ და მიღებულია დასკვნა, რომ ქართულ ორიგინალურ და ნათარგმნ ეგზეგეტიკურ თხზულებებში, ქადაგებებსა და საგალობლებში წმ. მარიამ მაგდალინელის სახელის ევანგელური

მონათხრობის მიხედვით წარმოდგენა-განსახოვნება, კათოლიკეთა შეხედულების საპირისპიროდ, სრულიად დაცლილია ამორალობისაგან და მაგდალინელის პიროვნება სახარების არც ერთ სხვა ქალთან არაა გაიგივებული. წმ. მარიამ მაგდალინელის შესახებ მცდარი შეხედულება მეოთხე საუკუნიდან განვითარდა, მექვსე საუკუნიდან კი გრიგოლ რომის პაპის მიერ გამოთქმულმა თვალსაზრისმა, რომელშიც მისი სახე აღრეულია წმ. მარიამ მეგვიპტელის სახესთან, იგი კიდევ უფრო განამტკიცა და მხოლოდ მეოცე საუკუნეში, 1969 წლიდან გასწორდა, თუმცა, უმართებულო შეხედულება სამეცნიერო ლიტერატურასა და მხატვრულ ლიტერატურაში მაინც გამოითქმის.

ლადო მინაშვილი:

1. ვრცელ ნარკვევში წარმოჩენილია პ. ინგოროყვას ღვაწლი ნ. ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა–ფშაველას ცხოვრებათა და შემოქმედების კვლევისას. მისი ტექსტოლოგიური ძიებების მნიშვნელობა.

2. სტატიაში განხილულია ლავრენტი არდაზიანის ცხოვრება და მისი "სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი" ნაჩვენებია ამ თხზულების აქუალობა.

3. სტატიაში მითითებულია ახალი ქართული პოეზიის როლი ტიციან ტაბიძის დადგინების პროცესში, XIX ს. ქათველ პოეტებთან ტ. ტაბიძის როგორც პოეტის მიმართება, და ტ. ტაბიძე XIX ს. ქართული მწერლობის კრიტიკოსი და ისტორიკოსი.

ეკა ვარდოშვილი:

1. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ახალი აღთქმა და ჰეგელის „სულის ფენომენოლოგია" შეიძლება განვიხილოთ როგორც ილია ჭავჭავაძის „პოეტისა" და „ბაზალეთის ტბის" ინტერტექსტი.

ინგა მილორავა:

1.წერილი „ლიბერალიზმის ქართული ველი" მიმოიხილავს ქართულ მხატვრულ აზროვნებაში ლიბერალური იდეების შემოსვლისა და დამკვიდრების გზებს, სირთულეებსა და შედეგებს. იმ პროცესებს, რომლებიც განვითარდა მე–19 საუკუნის ქართულ საზოგადოებრივ და მხატვრულ აზროვნებაში, აგრეთვე იმ ნაშორმებს, რომლებიც ამ პრობლემებს მიეძრვნა და წიგნს, „ქართული ლიბერალიზმი"

2. წერილი „ზღვის სივრცული მოდელი მოდერნისტულ ტექსტში" წარმოადგენს ზღვის მოდელს, რომელიც ქართული ლიტერატურისთვის ნაკლებად დამახასიათებელია, თუმცა საკმაოდ ღრმად დამუშავდა მოდერნისტულ მწერლობაში და თავის თავში მოიცავს და სივრცული მოდელის სახეობრივ სისტემაში გამოხატავს მოდერნისტული აზროვნების ფუნდამენტურ დებულებებს: სამყარო ზმანებისა და ცხადის მიჯნაზე; სიკვდილი, როგორც ესთეტიური ფენომენი, შეჩერებული დროის საყრდენი და ა. შ.

3. წერილში გაანალიზებულია პოეტ გუჩა კვარაცხელიას ახალ კრებულ ,,ანარეკლებში" თავმოყრილი ლექსები. წარმოდგენილია თანამედროვე სალიტერატურო პროცესში პოეტის თვითმყოფადი მხატვრული სამყაროს ადგილი და მნიშვნელობა. წარმოჩენილია მისი შემოქმედების ძირითადი ნიშნები და თავისებურებანი

თამარ პაიჭაძე:

1. **ქართული იმპრესიონისტული ინტერგრალები: ერთი მწერლიდან – ტენდენციისაკენ**

ქართული მოდერნიზმის თეორიულმა ანალიტიკამ ცალსახად წარმოაჩინა, რომ ის შეიძლება აღვიქვათ, როგორც მხატვრულ-შემოქმედებითი მეთოდი, ანუ მეთოდის ლიტერატურა, რომელსაც ევროპული შემთხვევათაგან, განსხვავებით პოლიტიზირებული ხასიათი არასოდეს მიუღია, არც საზოგადოებრივ-ყოფითი ფასეულობების შეცვლის პრეტენზია ჰქონია. მეტიც შეიძლება ითქვას, მას, ისევე როგორც სხვა ლიტერატურულ მოძრაობებს ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ტრადიციის, მენტალობის, მხატვრული აზროვნების მრავაწლიანი ნიადაგი დახვდა და ამ ნიადაგზე ყოველგვარმა მაქსიმალისტურმა ტენდენციამ, რადიკალიზმმა, კატეგორიულობამ, ორთოდოქრალიზმმა ერთგვარი სახეცვლილება განიცადა და ნაციონალურ -ლიბერალური ელფერი მიიღო, არა მხოლოდ როგორც მსოფლმხედველობამ, არამედ როგორც მხატვრულმა მეთოდმა.

ამ პოზიციათა გათვალისწინებით უნდა გავაანალიზოთ იმპრესიონისტული ლიტერატურის დამკვიდრების საკითხი ქართულ შემოქმედებით სივრცეში, რომელმაც თავი იჩინა ოციან წლებში, არსებული ავანგარდისტული მიმართულებების პარალელურად; თუმცა ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში ის ოდენ მხატვრულ ტენდენციად და „ერთი მწერლის მოვლენად“ აღიქმება. ეს მოსაზრება კი გადახედვას საჭიროებს, რადგან იმპრესიონიზმს ქართულ ლიტერატურაში აშკარად გააჩნდა გამოკვეთილი მხატვრულ-მეთოდოლოგიური ფორმატი, ინტერკულტურული ტენდენცია და ამასთან ერთად, გამოკვეთილი ინდივიდუალურ-ნაციონალური ნიშნებიც, რაც არა მხოლოდ ნიკო ლორთქიფანიძის, ასევე გერონტი ქიქოძის, ლეო ქიაჩელის, ჯაჯუ ჯორჯიკიას, არისტო ჭუმბაძის და სხვა მწერალთა შემოქმედებით მემკვიდრეობაში სახიერდება.

2. ქალაქი-ლოგოსი, როგორც კულტურული სივრცე მოდერნისტულ ტექსტში

ქალაქის, ცნება ქართულ ლიტერატურულ დისკურსში კარგახანია (XX საუკუნის დამდეგიდან) კონცეპტუალურ აღქმას დაუკავშირდა და გარკვეულწილად მხატვრულ - სიმბოლურ ბინარად ჩამოყალიბდა. ამგვარი დამოკიდებულება განსაკუთრებით გამძაფრდა მას შემდეგ, რაც მხატვრულ ლიტერატურაში შემოქმედის, თუ ლირიკული გმირის ლოგოსამყაროს ცენტრმა ბუნების პირველქმნადობის ხაზგასმიდან, სოფლის პეიზაჟების ესთეტიკური რეკვიზიტიდან, მშვიდი და პანთეისტური გარემოდან - ქალაქის ნაცრისფერ ქუჩებში, ხმაურიან და ქაოსურ გარემოში, ცივ და გულგრილ ატმოსფეროში გადაინაცვლა.

ბუნებრივია, ამ პროცესს ახსნა აქვს, ცენტრალიზაციის ტექნოკრატიის, ეკონომიკური დიფერენციაციის და მიგრაციის პროცესებმა, ქალაქში ადამიანთა კონცენტრაციამ თავისი ქნა. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქალაქი იქცა დინამიურობის, სიახლის სიმბოლოდ და აქედან გამომდინარე შემოქმედის ასპარეზად.ცენტრალიზაციის ეს პროცესი შეუქცევადი აღმოჩნდა, რასაც შემოქმედებით ძალთა მოზიდვა მოყვა. ქალაქის სოციოკულტურული ფუნქცია მთელი მნიშვნელოვნებით წარმოჩნდა. ეს პროცესი მოდერნისტული მომდინარეობების ხელოვნებაში დაფუძნებას დაემთხვა.

3. მოდერნისტული რეკვიზიტი და ქართული ლიტერატურული ტრადიცია (ექსპრესიონიზმი)

„ექსპრესიონიზმი არც მოდაა არც ესტეტიკური პოზა, იგი ახალი რელიგიაა ევროპის უახლესი თაობის“ - წერდა კონსტანტინე გამსახურდია. ექსპრესიონისტულმა ტალღამ ქართულ ლიტერატურაში ოციანი წლების დასაწყისიდან იჩინა თავი, მაშინ როცა სიმბოლისტური მსოფლმხედველობა „დუღილის“ ფაზაში შედიოდა, მაშინ, როცა ლიტერატურულ ავანსცენაზე უკვე დაჩნდა იმპრესიონისტული აღქმა სამყაროსი და მაშინ როცა „დადაისტური გადახრები“ ნიადაგს უმზადებდნენ „ქართულ ფუტურისტულ დემარშებს“. ამ „მოდერნისტულ ქაოსში“, ყველა მიმართულება შემოქმედებითი ინსტალირების საკუთარ ისტორიას გადიოდა, მკვიდრდებოდა და წელში იმართებოდა და არცერთი მათგანი არ იყო ბოლომდე ერთმანეთისაგან იზოლირებული. აქედან გამომდინარე თუ აიხსნება ის ინტერვერსიული და ვარიაციული ფორმატი, ექსპრესიონიზმის ქართველ მიმდევართა მხატვრულ ნააზრევში რომ ცნობიერდება; ექსპრესიონიზმი გამოიხატებოდა მატერიალური მსოფლაღქმის უარყოფასა სინამდვილის გამოსახულების კომპოზიციებით შეცვლის ტენდენციაში; ე.ი. სამყაროს ასახვა შემოქმედისათვის ნიშნავდა საკუთარი სულიერი სამყაროს, საკუთარი განცდების - პოზიტიური თუ ნეგატიური განწყობილებების შემოქმედებით „ფრთაშესხმას“.

რუსუდან ნიშნიანიძე:

1. ლიტერატურული წერილი ეხება ამერიკაში მცხოვრები მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების უცნობ ბიოგრაფიულ ფაქტებს.

2. სტატიაში საუბარია აკაკი ბელიაშვილის აქამდე გამოუქვეყნებელ უცნობ დოკუმენტურ პროზაზე.

3. წინათქმა უძღვის აკაკი ბელიაშვილის გამოცემულ წიგნს, რომელიც პირველად დაიბეჭდა იმ სახით, როგორც დაიწერა. წინათქმაში ასევე, ფართოდაა საუბარი ტექსტში მოხსენიებულ ქართველ ემიგრანტებზე და მათ ღვაწლზე.

4. სტატიაში განხილულია ამერიკაში მოღვაწე ქართველი ემიგრანტის გ. კობახიძის წერილი, რომელიც არაერთი თვალსაზრისითაა საინტერესო და ეხება აკაკი წერეთლის რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობას.

5. ლიტერატურულ წერილში გაანალიზებულია ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების ტექსტის ქართული და რუსული თარგმანები და შედარებულია ორიგინალურ – ინგლისურ გამოცემასთან.

6. სტატიაში საუბარია ამერიკაში მცხოვრებ მდივნების ოჯახსა და მათთან დაკავშირებული თავგადასავლების თაობაზე, რომლებიც ერთ ქართულ ლიტერატურულ ტექსტშიც აისახა.

ქეთევან სიხარულიძე:

1. **მე–19 საუკუნის მეორე ნახევრის რუსულ პერიოდიკაში გამოქვეყნებული ფოლკლორული ტექსტების კლასიფიკაციის საკითხი**

სტატია ეხება რუსულ პერიოდიკაში გამოქვეყნებულ კავკასიაში მცხოვრები ხალხების ფოლკლორულ მასალებს და მათი კომპარატივისტული კვლევის საკითხებს. აღნიშნულია, რომ ამგვარი კვლევა გამოავლენს კავკასიელთა ერთიან ტრადიციულ ღირებულებებს და მხატვრული შემოქმედების საერთო ნიშნებს. სტატიაში ასევე წარმოდგენილია საკლასიფიკაციო ნიშნები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი გახედება ფოლკლორული ტექსტების კლასიფიკაცია და საკლასიფიკაციო სისტემის შიგნით მათი შედარება.

2. **კავკასიის უძველესი მოსახლეობა მითოლოგიური მონაცემების მიხედვით**

სტატიაში განხილულია კავკასიაში მოსახლე ხალხთა მითოლოგიური ტექსტები, რომელთა მიხედვით უძველეს მოსახლეობას შეადგენდნენ გოლიათები. კავკასიელთა წარმოდგენით, კავკასიის უძველესი მოსახლეობას ცალთვალა გოლიათები შეადგენდნენ, რომლებიც ხშირად მწყემსებიც იყვნენ, მრავალრიცხოვანი ფარის მფლობელნი. ეს ხანა განსაკუთრებული ბარაქიანობითაა დახასიათებული. დროთა განმავლობაში გოლიათებმა (დევებმა) დაკარგეს ძველი ღირსება და ბოროტ არსებებად გადაიქცნენ.

ელენე გოგიაშვილი:

1.უილიამ შექსპირის "ვენეციელი ვაჭარი" და ხალხური ზღაპრის საერთაშორისო სიუჟეტი

ATU 890

უილიამ შექსპირის პიესის „ვენეციელი ვაჭრის“ ძირითადი მოტივი გავრცელებული ნარატივია ევროპისა და აღმოსავლეთის ხალხთა ფოლკლორში. ქართულ ფოლკლორში ამ სიუჟეტის გადამუშავება ნოველისტურ ჟანრშია წარმოდგენილი. სტატიაში განხილულია ქართული ფოლკლორული საარქივო მასალა, რომელთა პირველწყარო არა ხალხურიდან, არამედ ლიტერატურული ტრადიციიდან მომდინარეობს. ქართულ ფოლკლორში თ 890 ტიპის ზღაპრების მოტივები აღმოსავლეთიდან ჩანს შემოსული, მაგრამ ზოგიერთი ტექსტი შექსპირის პიესის გავლენას ადასტურებს.

2.ქართული და უკრაინული ზღაპრების კვლევა პოსტკოლონიურ კონტექსტში

სტატიაში შედარებულია უკრაინული და ქართული ხალხური ზღაპრების შესწავლის იდეოლოგიური აქცენტები საბჭოთა პერიოდში. საბჭოთა რესპუბლიკების მარგინალიზაციამ და პერიფერიულმა მდგომარეობამ ფოლკლორისტიკის ძლიერი იდეოლოგიზაცია გამოიწვია. იდეოლოგიური და კულტუროლოგიური მიზეზების გამო უკრაინული ზღაპრები რუსულის ჩრდილქვეშ მოექცა. საბჭოთა ხელისუფლება მუდმივად ცენზურას ახორციელებდა ქართველ ფოლკლორისტთა სამეცნიერო მუშაობაზე და ხალხური შემოქმედების თავისი ინტერესების სასარგებლოდ გამოყენება სურდა. პოსტკოლონიურ კონტექსტში ქართული და უკრაინული ზღაპრების კვლევის ისტორია სხვადასხვა საკითხს მოიცავს, მაგალითად, ლიტერატურული და ხალხური ზღაპრის ურთიერთმიმართებას, ალეგორიულ ინტერპრეტაციებსა და სხვა.

3.მითოსურ-რელიგიური რელიქტები ზღაპარში: ქართული ხალხური ლექსი “მენაცვალე” და მისი პროზაული ვერსიები

მოხსენებაში განხილულია ქართული ხალხური ლექსი „მენაცვალე“ მითოსურ-რელიგიურ მსოფლმხედველობათა საფუძველზე. სიუჟეტი, რომლის მიხედვითაც ქალი მზად არის სიცოცხლე დათმოს თავისი ატრფოსთვის, ქართულ ფოლკლორში სალექსო და თხრობითი ფორმით გვხვდება. ყველა ტექსტი მიემართება როგორც ლიტერატურულ ძეგლებს - ანტიკურ ტრაგედია „ალკესტისს“ (ძვ. წ. V ს.) და ძველინდურ ეპოს „მაჰაბჰარატაში“ ჩართულ სავიტრის ამბავს (ძვ. წ. IV ს.), ისე მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორში არსებულ მოტივს ქალის მიერ ბედისწერის შეცვლის შესახებ (ATU 899).

4.ფოლკლორული წყაროები ქართულ-ოსური ურთიერთობების შესახებ რუსულ პერიოდულ კრებულებში (1855-1900)

ქართულ-ოსური ურთიერთობების შესწავლის სფეროში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ფოლკლორული მასალის კვლევა, რაც თავისთავად უამრავ ასპექტს ითვალისწინებს: ზეპირსიტყვიერ ტექსტებში ასახულ ურთიერთობებს ქართველებსა და ოსებს შორის, მსგავსი სიუჟეტების გავრცელების თავისებურებებს ქართულ და ოსურ ფოლკლორში, ისტორიული ამბის ტრანსფორმაციის ფორმებს და სხვა. არანაკლებ საყურადღებოა ფოლკლორის შესწავლის ისტორია, რომლის სათავეები ცარისტული იმპერიალიზმის ეპოქაში იღებს სათავეს და მკვეთრად იდეოლოგიზებულია. მოხსენების თემაა 1855-1900 წლების რუსულ პერიოდულ კრებულებში გამოქვეყნებული ჩანაწერები და ნარკვევები („Кавказ“, „Сборник сведения о Кавказских горцах“, „Известия Кавказскаго Отдела Императорскаго Русскаго Географическаго Общества“, „Новое обозрение“, „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“).

5.კულტურული კონტაქტების როლი ფოლკლორის ნაციონალურ რეპერტუარში (ქართულ-ოსური სიუჟეტური პარალელები)

თანამედროვე ფოლკლორისტიკაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეთნიკურობის, ინტერეთნიკური ურთიერთობებისა და კულტურული სესხების საკითხებს. ამ პროცესების კვლევაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია ხალხური ზღაპრის შესწავლას. მოხსენება ეხება კავკასიურ ფოლკლორში ფართოდ გავრცელებული ზღაპრის „ღმერთი და

სამი ძმა“ ქართულ და ოსურ ვერსიებს.

ტრისტან მახაური:

1.ნაშრომში განხილულია თუშ მწყემსთა ტრაგედიის ამსახველი ერთი ქართული ხალხური საგმირო ბალადა. დადგენილია ამ ბალადის რეალური საფუძვლები.

2.ნაშრომში ნაჩვენებია ხის საოჯახო ჯამ-ჭურჭლის დამზადების ხალხური წესები ფშავში, აღწერილია ჭურჭლის დასამზადებელი დაზგა - ე.წ. „სახვეწელი“ და ძირითადი სამუშაო იარაღები, გამოვლენილია ხვეწის ოსტატები და შესწავლილია ხვეწის პროცესთან დაკავშირებული ზეპირსიტყვიერი მასალა.

3.ორი ლიტერატურული ნაწარმოების ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ მიხეილ ლაკერბაი განიცდის აკაკი წერეთლის გავლენას და მისი ნოველის სიუჟეტი პირდაპირ მისდევს აკაკის პოემის სიუჟეტურ მდინარებას.

4.ნაშრომში გამოკვეთილია ზმური თქმების გამოყენების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია ქართულ ხალხურ სიტყვიერებასა და აკაკი წერეთლის პოეზიაში. ნათქვამია, რომ აკაკიმ ახალ სიმაღლეზე აიყვანა ზმა და საკუთარ პოეზიას მეტი ხიბლი შესძინა.

5.სტატიაში წარმოჩენილია ვახტანგ თვარელაშვილის სატირულ-იუმორისტული პოეზიის ის უცნობი მხარეები, რაზედაც კრებულის პირველ გამოცემაში არ ყოფილა ყურადღება გამახვილებული.

6.ლიტერატურული და ფოლკლორული პარალელების მოხმობით ნაჩვენებია, რომ მიხეილ ლაკერბაიმ ამ შემთხვევაში კარგად დაძლია მის წინაშე მდგარი პრობლემა და შექმნა სრულიად ორიგინალური მხატვრული ნაწარმოები.

ნესტან სულავა:

1. ჰიმნოგრაფიაში, საზოგადოდ, ისტორიული მოვლენები და ეროვნული ცნობიერება არ აისახება. მაგრამ ქართულ ჰიმნოგრაფიაში ზოგიერთი ისტორიული მოვლენა, ეროვნული ცნობიერება და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური იდეოლოგია ალუზიურად არის არეკლილი. ამ მხრივ საყურადღებოა წმ. შიო მღვიმელის საგალობლები, აგრეთვე, წმ. აბოსადმი, წმ. ილარიონ ქართველისადმი, ათონელი წმინდა მამებისადმი მიძღვნილი საგალობლები. ქართველი ერის ცნობიერების განვითარებაში X-XI საუკუნეების ჰიმნოგრაფია უმნიშვნელოვანეს ეტაპს ქმნის, რადგან ამ პერიოდში დაიწერა „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“, „ბეთლემისანი“, „გალობანი სატფურებისანი“, რომლებშიც ქართული ენისა და ანბანის ქებაა წარმოდგენილი. მათ იდეოლოგიური ღირებულება ენიჭებათ. XII-XIII საუკუნეების ქართველ ჰიმნოგრაფთა _ ნიკოლოზ გულაბერისძის, თამარ მეფის, იოანე ანჩელის, იოანე შავთელის, არსენ ბულმაისიმისძის, საბა სვინგელოზის თხზულებებში აირეკლა პოლიტიკური იდეოლოგია, რაც განასხვავებს მათ წინარე ჰიმნოგრაფიული პოეზიისაგან. ქართულ ჰიმნოგრაფიაში დასმული ეროვნული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხები საღვთისმეტყველო ლიტერატურის მხოლოდ ამ ჟანრში არ წარმოჩენილა, მაგრამ ჰიმნოგრაფიაში პირველად აისახა ისეთი პრობლემატიკა, რომელთა შესახებ სხვა ჟანრის თხზულებებში ცნობები ან საერთოდ არ არის დაცული ან სწორედ ჰიმნოგრაფიაა წყარო.

ჰიმნოგრაფიამ, ჰაგიოგრაფიასთან ერთად, შემოინახა ცნობები უფლის კვართის შესახებ, რომელთაგან ყურადღებას იქცევს ნიკოლოზ გულაბერისძის საგალობელი. მასში აისახა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხვედრილობის იდეა, რომელსაც უკავშირდება, აგრეთვე, საქართველოში მოციქულთა მოღვაწეობისა და ქართული ეკლესიის სამოციქულოდ მიჩნევის თემაც. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს სინურ ლიტურგიკულ კრებულში შემონახული წმ. ნინოსადმი მიძღვნილი საგალობელი, რომლის კვალობაზე

საქართველოში ქრისტიანობა, სხვა მოციქულებთან ერთად, წმ. ბართლომემ იქადაგა, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ეს ფაქტი სხვა თხზულებებში არაა დადასტურებული.

ცალკე უნდა გამოიყოს მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის საქართველოში დამკვიდრების თემა ქართულ ჰიმნოგრაფიაში. მას შეეხო იოანე ანჩელი „გალობანში ანჩისხატისანი“. XIII საუკუნის 30-იან წლებში ძმების აბუსერ და ვარდან აბუსერისძეების „შეხუეწით“ საქართველოს კათოლიკოსმა არსენ ბულმაისიმისძემ და მთავარეპისკოპოსმა საბა სვინგელოზმა შექმნეს მარტყოფის მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილი საგალობლები. ამ ვერსიით, მაცხოვრის თიხაზე, ანუ „კეცზე“ დატვიფრული ხელთუქმნელი ხატი, კერამიონი, საქართველოში VI საუკუნეში მოიტანა ასურეთიდან მოსულმა წმ. ანტონ მარტმყოფელმა.

XII-XIII საუკუნეების ქართულმა ჰიმნოგრაფიამ არეკლა ქართველ მეფეთა ბიბლიური ჩამომავლობის თემა, რაც სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური იდეოლოგიისა და ქრისტიანული ცნობიერების განვითარების ერთ-ერთ უძირითადეს ნიშნად გვევლინება. იგი კონკრეტულად სამეფო იდეოლოგიის, ანუ დინასტიურ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის უმნიშვნელოვანესი საფუძველი იყო. ამ თვალსაზრისით განხილულია ხახულის ღვთისმშობლის ხატის კარედზე წარწერილი უცნობი ავტორის ორსტროფიანი იამბიკო, თამარის ხუთსტროფიანი იამბიკო „ცასა ცათასა“ და შვიდსტრიქონიანი იამბიკო „ქალწულებრივთა“. ამ საგალობლებს ეპოქისათვის დამახასიათებელი ძირითადი იდეოლოგიური მიმართულება _ მესიანური იდეა და ანტიმაჰმადიანური ტენდენცია წარმართავს.

ყოველივე ეს ქართულ ჰიმნოგრაფიას საისტორიო წყაროს მნიშვნელობას ანიჭებს.

2.„წმ. ევსტათი მცხეთელის წამებაში“ ჰაგიოგრაფიული გმირის ხატ-სახე ამ ჟანრისათვის დამახასიათებელი სახისმეტყველებითი სისტემითა და პრინციპებითაა წარმოჩენილი. მისი მხატვრული სახე საკმაოდ რთული ბუნების, სულიერად მეტყველი ადამიანის კვალობაზეა ასახული, მის ხატ-სახეს მისი ნათლობის სახელიც განსაზღვრავს, რომელიც „კარგად მდგომს“ ნიშნავს. თხზულებაში სიღრმისეულად ვლინდება ადრეული შუა საუკუნეების დროინდელი ქართული კულტურისა და მწერლობის, საერთოდ ქართული თეოლოგიურ-ფილოსოფიური და სახისმეტყველებითი აზროვნების მაღალი დონე. ეს ნათლად ჩანს „წამებაში“ თარგუმის სახით ჩართულ ბიბლიურ ნაწილშიც, სადაც ბოროტისა და კეთილის დამოკიდებულების ის ზოგადსაკაცობრიო თვალსაზრისი, რომელიც მთელს ბიბლიაშია სიმბოლურად ასახული და სადაც ამ ორი ურთიერთსაპირისპირო საწყისის შესახებ მსჯელობის საფუძველი ღმერთისა და კაცობრიობის ურთიერთობით განისაზღვრება. მეტიც, „წმ. ევსტათი მცხეთელის წამების“ დირსება, როგორც ეს არაერთხელ აღნიშნულა ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში, იმდენად დიდია, რომ ის საქართველოს ფარგლებს სცილდება და მსოფლიო მნიშვნელობის თხზულებათა ჯგუფს განეკუთვნება. ამგვარი შეფასება ნამდვილად არ არის გადაჭარბებული, რადგან ავტორის მიერ წარმოდგენილი ჰაგიოგრაფიული გმირი სულიერი და მსოფლმხედველობრივი ძიების შედეგად მივიდა ჭეშმარიტ რწმენამდე, ქრისტიანობის აღიარებამდე; თხზულებაში გამოყენებული საღვთისმეტყველო-ლიტერატურული წყაროები ზოგადსაკაცობრიო ღირებულებისაა, სულიერ და ინტელექტუალურ ცხოვრებაზე ორიენტირებული განათლებული საზოგადოება სააზროვნო სისტემების გამოყენებისას და რეალურ ცხოვრებაში მათში ასახულ სიბრძნეს ეფუძნება, ხოლო უძველეს ქართულ ჰაგიოგრაფიაში მათი შემოტანა წამების ჟანრის ნებისმიერ თხზულებას მსოფლიო კულტურის ისტორიის კვლევის საქმეში მეტად ფასეულ ძეგლად აქცევს. ამიტომ ადრექრისტიანული მსოფლიო ლიტერატურის შესწავლის საქმეში მას პირველხარისხოვანი საღვთისმეტყველო თხზულების მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

3.ვნების პარასკევი ერთადერთი დღეა ლიტურგიული წლის განმავლობაში, როდესაც წირვა არ სრულდება, რადგან ყველაზე დიდი შესაწირი მსხვერპლი თავად მაცხოვარი იყო. ამ თემას მიეძღვნა საგალობელთა მთელი ციკლი, რომელშიც, სახარებათა კვალობაზე, ასახულია მაცხოვრის ჯვარცმა, რაც იშვიათი სიმძაფრისა და ტკივილის განცდას ბადებს მკითხველსა თუ მსმენელში. ვნების პარასკევის დღის განგება განსაკუთრებული სირთულით გამოირჩევა, რადგან იგი რამდენიმენაწილიანია და უაღრესად დატვირთულია სიმბოლური

ხატმეტყველებით. აქ ყურადღებას იქცევს გოლგოთისაკენ მიმავალი იესო ქრისტეს შინაგანი განცდები, მისი მოწაფეების, მთელი ერის დამოკიდებულება მაცხოვრის ჯვარცმისადმი, რადგან „მცირედნი არიან რჩეულ“, თანამგრძნობნი მაცხოვრისა.

სტატიაში საგალობელთაგან განხილულია „უძველეს იადგარში“ მოთავსებული სამსაგალობელი: ღამითგანსა, აკურთხევდითსა, ადიდებთითსა, რომელსაც მოსდევს გამოავლინე და დასდებელი, ხოლო განასრულებს აქებდითსა. ყოველივე ამას მოსდევს პარასკევს შუადღიდან შესასრულებელი საგალობლები, რომელთა სახისმეტყველება საოცრად მდიდარია და კოსმიური ხილვითაა გაჯერებული. განსაკუთრებული სიმძაფრით ხასიათდება გარდამოხსნის ეპიზოდი. აგრეთვე, იოანე მინჩხმა თავის „მარხვანში“ საგანგებო ადგილი მიაკუთვნა ვნების პარასკევის საგალობლებს, რომელშიც ორიგინალური თვალთახედვითაა წარმოჩენილი მთელი ვნების კვირის სიმბოლური მნიშვნელობა და მაცხოვრის სულიერი მისია _ მაცხოვარმა ღმერთთან კაცობრიობის შერიგებას შესწირა თავი. ვნების კვირის, განსაკუთრებით ვნების პარასკევის საგალობლებში უდიდესი ტკივილიანი განცდით წარმოისახება ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი, რომელიც სხვა დედებთან ერთად მიაცილებდა თავის ძეს, ისმენდა პილატეს განცხადებას და გოლგოთაზე უროს ხმას, როდესაც მაცხოვარი ჯვარზე სამსჭვალით დამსჭვალეს. ამ თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა დავით გურამიშვილის ლექსები „ჯვარცმის ამბავი“, „მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი“, „ტირილი ღვთისმშობლისა“, რომლებშიც მაცხოვრის მოთმინებაა აქცენტირებული, ჯვარცმით სიკვდილისა სიკვდილით დამთრგუნველი მაცხოვრის ხატია შექმნილი და ჯვრის სიმბოლურობის საფუძველია განსაზღვრული, რადგან ადრე სამარცხვინოდ მიჩნეულმა ჯვარზე გაკვრამ იცვალა ღირებულებითი მნიშვნელობა და მთელი კაცობრიობის სულიერი ხსნის, სულიერი გადარჩენის მისია დაეკისრა. ამ დღისთვის განკუთვნილი ძლისპირის სიტყვები _ „ნუ მტირ მე, დედაო“, მაცხოვრის მიერ წარმოთქმული, გვაგულისხმებინებენ იმ იმედის ნაპერწკლის არსებობას, რაც მაცხოვრის ჯვარცმამ მოუტანა კაცობრიობას. ფრესკებსა და ხატებზე წარმოსახული დატირების სცენასთან პარალელებით უფრო თვალსაჩინოვდება საგალობლებში ასახული ვნების პარასკევის მთელი სიმძიმე, რომელიც ყოველწლიურად ახლდება კაცობრიობის სულიერი ზრდის, სულიერი სისრულის, სრულყოფილების მისაღწევად, იგი ადამიანის ღმერთთან ზიარებისა და განღმრთობისაკენ მიმავალი ურთულესი გზაა, რომელიც მხოლოდ სულის სიძლიერით დაიძლევა და ღმრთივგანბრძნობილობით მიიღწევა.

4. წმ. მარიამ მაგდალინელის ხატ-სახეზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ მისი პიროვნების მიმართ მართლმადიდებლურ და კათოლიკურ ეკლესიებში დიდი ხნის მანძილზე სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება არსებობდა, კერძოდ, მართლმადიდებლობა მას ყოველთვის მოციქულთა სწორ წმინდა მენელსაცხებლე დედად აღიარებდა და აღიარებს; კათოლიკური სამყარო მეექვსე საუკუნიდან მოყოლებული 1969 წლამდე მას მრუშ, მონანიე დედაკაცად მიიჩნევდა. ევანგელური მონათხრობით, წმ. მარიამ მაგდალინელი უფალმა განკურნა შვიდი ეშმაკისგან (ლ. 8, 2; მრ. 16, 9). ამის შემდგომ მარიამი ყველგან თან ახლდა მაცხოვარს (მრ. 15, 40; ლ. 8, 3), ქრისტესთან ერთად გაიარა გოლგოთის გზა და ჯვარცმაც საკუთარი თვალით იხილა (მ. 27, 56 და სხვ.); ქრისტეს დაფლვასაც ესწრებოდა (მ. 27, 61 და სხვ.) და ჯვარცმიდან მესამე დღეს, ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღეს მის აკლდამასთან ნელსაცხებლებითა და საკმევლით მივიდა (მ. 28, 1; მრ. 16, 1-8). მან პირველმა იხილა აღმდგარი მაცხოვარი, პირველმა ირწმუნა და პირველმა აუწყა ქრისტეს მოწაფეებს მაცხოვრის სასწაულებრივი აღდგომა (ი. 20, 11-18).

კათოლიკური ეკლესიის ტრადიციით, მას დიდი ხნის მანძილზე აიგივებდნენ უსახელო მონანიე ცოდვილთან, ასევე _ ერთ უსახელო ქალთან, რომელმაც იესოს თავზე ნელსაცხებელი დაასხა სვიმეონ კეთროვნის სახლში, ბეთანიაში (მ. 26, 6-7, მ. 14, 3-9), და მარიამთან, ლაზარესა და მართას დასთან (ი. 12, 1-8). ამას ერთვოდა მრავალი ლეგენდაც. მოგვიანებით, მაგდალინელის ცხოვრებას დაემატა ზოგიერთი სიუჟეტი მონანიე ცოდვილის _ მარიამ მეგვიპტელის (V ს.) _ ცხოვრებიდან, რამაც მაგდალინელის მეძავ ქალად წარმოდგენას კიდევ უფრო მეტად გაუმყარა საფუძველი. მარიამ მაგდალინელის სახის სწორი ინტერპრეტაცია მოითხოვს მეტი ყურადღების მიქცევას წყაროებისათვის, რომლებიც საკმაოდ მოიძებნება ქართულ და უცხო ენებზე.

ევანგელურ თხრობაში იესოს მირონცხების ეპიზოდში მონაწილე სხვადასხვა ქალის (ლუკას მიხედვით, ცოდვილი ქალი, იოანეს მიხედვით _ მარიამი ბეთანიიდან) გაიგივება

მაგდალინელთან საბოლოოდ რომის პაპის, წმ. გრიგოლ დიდის, „შემოდგომის ქადაგებაში“ აისახა 591 წელს, ხოლო სახარებებში მარიამ მაგდალინელისა და მარიამ ბეთანიელის აღუნიშნავი ცოდვა განიმარტა როგორც მრუშება. მისი ამგვარი ინტერპრეტაცია აღორძინების ხანისა და მომდევნო პერიოდის მხატვრობაშიც დამკვიდრდა.

კათოლიკურმა ეკლესიამ XX ს-ში სცადა, გაესწორებინა აღნიშნული შეცდომა და 1969 წლის რეფორმის შემდეგ Novus Ordo-ს კალენდარში წმ. მარიამ მაგდალინელი უკვე აღარაა წარმოდგენილი „მონანიედ“. მიუხედავად ამისა, ხალხის ცნობიერებაში საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებული ტრადიციული შეხედულება (მაგდალინელი _ მონანიე მრუში ქალი), რომელიც ხელოვნების მრავალი ნაწარმოების ზეგავლენითაც იყო განმტკიცებული, ძირითადად, უცვლელი დარჩა. ოქსფორდის ლექსიკონშიც კი სიტყვა „მაგდალინას“ „მონანიე მრუშის“ შინაარსი აქვს. კათოლიკური ეკლესიის მიერ წმ. მარიამ მაგდალინელის პიროვნების შებღალული სახელი გავრცელდა მართლმადიდებლურ სამყაროში, მაგ., პოეზიაში _ მ. ცვეტაევა, ბ. პასტერნაკი, და სასულიეროთა შორის. ქართულ ცნობიერებაშიც, უმეტესწილად, წმ. მარიამ მაგდალინელი მეძავ ქალადაა მიჩნეული. დღესაც კი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ამბიონიდან ზოგიერთი მოძღვრის ქადაგებებში ხშირად წმ. მარიამ მაგდალინელი მოიხსენიება მრუშ ქალად, რომელსაც მიეტევა მძიმე ცოდვები. „წმინდანთა ცხოვრების“ III ტომშიც (თბ., 2001) წმ. მარიამ მაგდალინელის ცოდვათა შორის მრუშებაა აღნიშნული და ზოგჯერ ინტერნეტ სივრცის ქართულ საიტებზეც მაგდალინელის სახელთან მრუშება იხსენიება. ჩვენს გაკვირვებას იწვევს კათოლიკეთა მიერ დაშვებული და დამკვიდრებული ზემოაღნიშნული შეცდომის ჩვენს სინამდვილეში გავრცელება, რადგან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და ქართული ქრისტიანული კულტურა ამ საკითხში ოდითგანვე მიჰყვება კათოლიკე (საყოველთაო) ეკლესიის წეს-კანონებსა და ტრადიციებს, რასაც მოწმობს ქართულ ორიგინალურ და ნათარგმნ ეგზეგეტიკურ თხზულებებში, ქადაგებებსა და საგალობლებში მარიამ მაგდალინელის სახელის ევანგელური მონათხრობის მიხედვით წარმოდგენა-განსახოვნება, რაც, კათოლიკეთა შეხედულების საპირისპიროდ, სრულიად დაცლილია ამორალობისაგან და მაგდალინელის პიროვნება სახარების არც ერთ სხვა ქალთან არაა გაიგივებული. უწინარეს ყოვლისა, დავიმოწმეთ წმ. იოანე ოქროპირის მათესა და იოანეს სახარებების თარგმანებები, რომლებშიც განმარტებულია, თუ ვინაა წმ. მარიამ მაგდალინელი; ასევე, წმ. მარიამ მაგდალინელის ხატ-სახე, წმიდა მენელსაცხებლე დედათა შორის, წარმოჩენილია იოანე მინჩხის, კვირიკე-კურდანაის საგალობლებში, იოანე ბოლნელის, ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებებში, აგრეთვე, სულხან-საბა ორბელიანის „სამოთხის კარსა“ და ქადაგებებში.

წმ. მარიამ მაგდალინელის ტრადიციული ხატ-სახე გაცოცხლებულია საერო მწერლობაშიც, კერძოდ, თეიმურაზ მეორის პოემაში „გაბაასება დღისა და ღამისა“, აკაკი წერეთლის ლექსებში. XX საუკუნის ლიტერატურაში (გრიგოლ რობაქიძე, ტიციან ტაბიძე, ალექსანდრ ბლოკი, სერგეი ესენინი, ანა ახმატოვა, მარინა ცვეტაევა, ანა კალანდაძე, დავით კიკვაძე) კი განსხვავებული, ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებები გამოვლინდა: შემოქმედთა ნაწილმა იგი ტრადიცულად, მოციქულთა სწორად აღიქვა, ხოლო ნაწილმა კათოლიკური ტრადიცია გაიზიარა და მრუშ, მონანიე დედაკაცად მიიჩნია.

არამართლმადიდებლური ცნობიერების მქონე მეცნიერთა საკმაოდ დიდმა ნაწილმა ობიექტურად შეაფასა და წმ. მარიამ მაგდალინელის შესახებ აღნიშნა, რომ იგი არაა მონანიე მრუში დედაკაცი. ამ ფაქტს კათოლიკურ სამყაროში ჯერ კიდევ XVI საუკუნის დამდეგს მიაქცია ყურადღება ჟაკ ლეფევრ დ’ ეტაპლმა, მაგრამ მხოლოდ მეოცე საუკუნეში დაიწყო წმ. მარიამ მაგდალინელის ოფიციალურად ხსენება, როგორც მაცხოვრის მოწაფისა, საუკუნეების წინ დამკვიდრებული ტრადიციული მცდარი შეხედულებისაგან განსხვავებით. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ 1969 წლის რეფორმის შედეგად წმინდანის შესახებ VI საუკუნიდან მცდარად დამკვიდრებულ თვალსაზრისს ოფიციალურად აღარც კათოლიკური სამყარო იზიარებს, მაინც გაჭირდა სიმართლის აღიარება და წმ. მარიამ მაგდალინელის იმგვარ წმინდანად დასახვა, რომელიც არასოდეს ყოფილა მონანიე მრუში დედაკაცი, რაც XX საუკუნისა და XXI საუკუნის დამდეგის მართლმადიდებელი ქვეყნების ლიტერატურულ ტენდენციებში გამომჟღავნდა.

5.ნაშრომი გამიზნულია უცხოელი მკითხველისათვის და იგი სამი ნაწილისაგან შედგება: პირველ ნაწილში რამდენიმე საკითხია განხილული: შოთა რუსთველის ბიოგრაფიული ცნობები, სალექსო საზომი, პოემის ძირითადი პრობლემატიკა, პერსონაჟთა ცხოვრების ურთულესი, წინააღმდეგობებით აღსავსე გზა, რომელიც სულიერი ჰარმონიის მიღწევით

მოიპოვება. მეორე ნაწილი ეძღვნება „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეული სტროფის, ტაეპის, სიტყვის კომენტირებას, ხოლო მესამე ნაწილში წარმოდგენილია რამდენიმე შენიშვნა ს. იორდანიშვილის მიერ შესრულებული ბწკარედული თარგმანის ზოგიერთი სტროფის რუსული თარგმანის დასაზუსტებლად.

6. მთელს აზიაში, განსაკუთრებით ირანსა და შუა აზიის ხელოვნების ძეგლებზე ლომი მცხუნვარე მზის სიმბოლოთი _ ბორჯღალით არის აღბეჭდილი ბეჭზე, რაც მისი ნაწილის ნიშანი უნდა იყოს. მის სამოსელს სამგლოვიარო ფუნქცია აკისრია. ლომს ნაყოფიერების ქალღვთაების საკულტო ცხოველად მიიჩნევდნენ. ძველ ეგვიპტურ მითოსშიც დიდი ადგილი უჭირავს ლომის, ვითარცა მცველის, ფუნქციას.
უნდა აღინიშნოს ლომის მოტივის გავრცელება ძველი საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ მასალებზე, კერძოდ სარტყელზე გამოსახულია ლომის ფიგურა, რომელსაც ადამიანის თავი აქვს და ისარს ისვრის; ლომის სიმბოლური გააზრების შედეგი უნდა იყოს ქართველური ტომის _ სვანების დროშაზე ლომის გამოსახულების არსებობა, რაც ქართველურ ტომთა ყოფაში გამოვლენილ ტრადიციებს ასახავს. ქართული ფოლკლორული მონაცემების მიხედვით, ლომი, ვეფხვი, ჯიხვი საკულტო ცხოველებია და მათ მოკვლას უთუოდ უნდა მოჰყვეს მონანიება, მოკლული ცხოველის დატირება, რაც დასტურდება გადმოცემებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ღმერთი მონადირეს ცოდვას არ შეუნდობს. ლომი მზის ნაწილიანი გმირის, მზიური გმირის სიმბოლოა, ლომი, როგორც მზესთან დაკავშირებული საკულტო ცხოველი, ვეფხვისა და მზის მსგავსად, ორგვარი სიმბოლოს მატარებელია, ერთი მხრივ, როგორც მზე ანათებს ირგვლივ ყოველივეს და მაცოცხლებელ ძალას აძლევს, ნათელს ჰფენს ყველაფერს, ისე ცხოველთა მეფედ სახელდებული ლომი ძლიერების, უძლეველობის, კეთილშობილების, მეფური შემართების, ვაჟკაცობის, მატერიალურზე სულიერის გამარჯვების სიმბოლოა; მეორე მხრივ, როგორც მზის მწველი, მცხუნვარე სხივი დამანგრეველ ძალასაც განასახიერებს, ვინაიდან მოზღვავებული მზიურობა ჭკნობასა და წვას იწვევს, ასევე ლომიც მეფური ამპარტავნების, სიზვიადის, ქედმაღლობის, ძალაუფლებისაკენ ლტოლვის სიმბოლოა. ძველი კულტურული ტრადიციების მიხედვით, ლომად იწოდებიან ძლიერი მეფეები, გმირები, მითოლოგიზებული პერსონაჟები, ბიბლიური პერსონაჟები. უძველესი რწმენა-წარმოდგენების, მითოსური და წინარექრისტიანული კულტურული მონაცემების შესახებ ეს მცირეოდენი ექსკურსი საშუალებას იძლევა `ვეფხისტყაოსნის~ პერსონაჟთა ლომად და მზედ წარმოსახვის რამდენიმე ასპექტით განხილვისა, ვინაიდან ტარიელ_ავთანდილის შედარება ლომთან და ნესტან-დარეჯან _ თინათინისა _ მზესთან მარტივი პოეტური სახე არ არის. ლომის სიმბოლიკაში აკუმულირებულია ქართული და სხვა ქვეყნების ძველი კულტურული სამყაროს ისტორიული მეხსიერებისა და სულიერი ისტორიის ამსახველი ფაქტები.

7. სტატიაში განხილულია იერუსალიმის ჯვარის მონასტრის მონაცემები ტაძრის კედლის ფრესკაზე გამოსახულ შოთა რუსთველისა და აღაპთა წიგნში მოხსენიებულ შოთა მეჭურჭლეთუხუცესის შესახებ ტიმოთე გაბაშვილის თხზულებაში დაცული ცნობების საფუძველზე. ქართველ და საზღვარგარეთის მეცნიერთა (ზ. ჭიჭინაძე, შ. ამირანაშვილი, ე. მამისთვალიშვილი, ვ. ცაფერისი და სხვ.) მიერ გამოთქმულ შეხედულებებში შოთა რუსთველის ბიოგრაფიის შესახებ იერუსალიმურ წყაროთმცოდნეობით მასალათა რეალობა და მათზე დაფუძნებული ლეგენდა აღრეულია; სტატიაში შესაძლებლობისამებრ გამიჯნულია სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ შეხედულებებში არსებული რეალობა და ლეგენდა, რის საფუძველსაც იძლევა ცნობები ტიმოთე გაბაშვილის თხზულებიდან.

ელგუჯა ხინთიბიძე:

1. უკანასკნელი წლების რუსთველოლოგიურმა კვლევებმა გამოავლინა, რომ *ვეფხისტყაოსანი* ლიტერატურულ წყაროდაა გამოყენებული XVII ს-ის დასაწყისის ინგლისურ დრამატურგიაში. ამ პერიოდის რამდენიმე პიესა იყენებს *ვეფხისტყაოსნის* ტარიელისა და ნესტანის სიყვარულის ისტორიას არა მხოლოდ, როგორც ფაბულურ წყაროს, არამედ გადატანილია რამდენიმე მხატვრული სახეც. მაგ. ცნობილი პასაჟი “ნახეს უცხო მოყმე ვინმე”, ასევე ტარიელის მედიტაცია იმქვეყნად ნესტანთან შეხვედრის თაობაზე. შესაბამისი ეპიზოდები და მხატვრული სახეები ინგლისურ პიესებში იმსახურებს

ინგლისელ ლიტერატურისმცოდნეთა უაღრესად მაღალ შეფასებას.

2. უკანასკნელი ათწლეულის რუსთველოლოგიური მეცნიერების ერთი უმთავრესი სიახლე – იმის გამოვლენა, რომ *ვეფხისტყაოსნისეული* ნესტანისა და ტარიელის სიყვარულის ამბავი სიუჟეტურ წყაროდაა გამოყენებული XVII საუკუნის დასაწყისის დიდ ინგლისურ დრამატურგიაში – ჟურნალ *ქართველოლოგის* პუბლიკაციების პერმანენტულ საკითხად იქცა („ქართველოლოგი“ №14; 15; 16; 19; 20). ამ პუბლიკაციებში გამოკვეთილმა ერთმა თეზამ, *ვეფხისტყაოსნის* ნესტან–დარეჯანისა და შექსპირის ციმბელინის მთავარი პერსონაჟის მხატვრული სახეების პარალელების კვლევამ იმ სიმბოლიკაზე დამაფიქრა, რომელსაც დიდი ინგლისელი დრამატურგი ზოგიერთ შემთხვევაში თავის პერსონათა სახელების შერჩევისას მიმართავდა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ციმბელინის პროტაგონისტის, მეფის ერთადერთი ასულის იმოჯენის სახელი. ამ სახელის სიმბოლური დატვირთვის ინტერპრეტირებას და თხზულების ზოგიერთ გამოცემაში სახელ იმოჯენის სხვა ფორმით – ინოჯენით შეცვლის მიზანშეწონილობის კვლევას ეძღვნება წინამდებარე ნაშრომი.

3. XX საუკუნის ქართველოლოგიურ მეცნიერებაში ინტენსიური მტკიცებაა თეორიისა, რომლის თანახმადაც XIII-XV საუკუნის მთელი ევროპული ლიტერატურის უაღრესად პოპულარული თხზულება *გარლაამ და იოასაფის ისტორია* შექმნილია ქართველი მთარგმნელის ეფთვიმე ათონელის მიერ ქართულ ბალავარიანზე დაყრდნობით. ამ მეცნიერულ თვალსაზრისს თანმიმდევრულად ეწინააღმდეგებოდა გერმანელ ბიზანტინისტთა სკოლა. XXI საუკუნის პირველი ათწლეულის ბოლოს სწორედ ამ გერმანელმა ბიზანტინისტებმა მკვეთრად შეცვალეს თავისი პოზიცია და წარმოადგინეს არგუმენტები, რომ ევროპული ლიტერატურის ეს პოპულარული თხზულება მართლაც ეფთვიმე ათონელის მიერაა თარგმნილი. ხაზგასმითაა აღსანიშნავი, რომ გერმანელ მეცნიერთა ეს არგუმენტები ემთხვევა უკანასკნელ ათწლეულებში ქართველ მეცნიერთა მიერ ჩამოყალიბებულ თვალსაზრისს და არგუმენტებს იმავე საკითხზე.

4. ნარკვევში რუსთველის შემოქმედებასთან დაკავშირებული ყველა საკითხის მოკლე, რეზიუმირებული მიმოხილვაა. ყურადღება გამახვილებულია *ვეფხისტყაოსნის* იდეურ-მსოფლმხედველობით პრობლემატიკაზე და მხატვრული სისტემის სპეციფიკაზე. მსჯელობის საგნადაა ქცეული რუსთველოლოგიური კვლევების მეთოდიკის საკითხები.

5. ჟურნალ „ქართველოლოგის“ 24-ე ნომრიდან დაიწყო გამოქვეყნება კომენტარებისა *ვეფხისტყაოსნის* ცალკეულ სტროფებზე. ეს ნარკვევები სრულდება იმ პროექტის ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ და ითვალისწინებს *ვეფხისტყაოსნის* ტექსტის თანმიმდევრული მეცნიერული კომენტარების შექმნას. სტატიაში ორი სტროფია განხილული. ისინი რუსთველის მსოფლმხედველობის ორ სხვადასხვა საკითხს წარმოქმნიან: უზენაესი არსების

II. 2. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მაკა ელბაქიძე	Medieval Georgian Romance by Shota Rustaveli in the Context of European Chivalry Romance. კრებ. Literature in an Intercultural Perspective		Venezia: Koper 2015	გვ. 129-154
2	ნ.გონჯილაშვილი, თ.შარაბიძე	„ვეფხისტყაოსნის“ შ. ნუცუბიძის რუსული პოეტური თარგმანის ისტორია და სტალინი“, „მაპრიალის“ საერთაშორისო ასოციაციის XIII კონგრესის – „რუსული ენა და ლიტერატურა მსოფლიო კულტურის სივრცეში“ –მასალები		გრანადა, ესპანეთი	(იბეჭდება)
3	E. Vardoshvili	„Soci კ კ Asiatique“ in Paris and „The Man in the Panther Skin“ of Shota Rustaveli. Pro Georgia,	N25-2015,	Centre for European Studies, Faculty of Oriental Studies	გვ. 97-104

		Journal of Kartvelological Studies,		University of:-Warsaw, Printing: Duo Studio: ISSN 1930-1604	
4	Э. Вардошвили	Размышления о Божественной литургий“ Н. В. Гоголя как сочинение религиозного характера, имеюшее мировое знанение“	Материалы XIII КонгресаМАПРЯЛт. 14	15 томах, СПБ.: МАПРЯЛ, 2015. Санкт-Петербург. 2015. www.maprial.org	ст. 106-109
5	ინგა მილორავა	Хронотор "Дороги" и модель "Тифлиса" в документальрой повести А.С. Пушкина "Путешествие в Арзрум во время похода 1829 года, „გზის” ქრონოტოპი და „ტიფლისის„ მოდელი ა.ს. პუშიკინის დოკუმენტურ მოთხრობაში „მოგზაურობა არზრუმს 1829 წლის ლაშქრობის დროს”, XIII კონგრესი _ "რუსული ენა და ლიტერატურა მსოფლიოს კულტურულ სივრცეში", მასალები		ესპანეთი, გრანადის უნივერსიტეტი	12
6	თამარ პაიჭაძე	**Cultural-Historic Orientation - Inspiration for The Georgian literature Process** *International Journal of Arts and Sciences*(ISSN 1944-6934) (IJAS)	International Journal of Arts & Sciences, CD-ROM. ISSN: 1944-6934 :: 5(1):273–283 (2012) Copyright c 2012 by InternationalJournal.org	ჰარვარდი, ბოსტონი , აშშ	14
7	Gogiaschwili, Elene	Der Hirsch in georgischen Volksmдrchen (ირემი ქართულ ხალხურ ზღაპრებში) *Märchenspiegel*. Zeitschrift fүr internationale Mдrchenforschung und Mдrchenpflege http://www.maerchen-stiftung.de/maerchenspiegel-	Heft 3	ფოლკახი (გერმანია)	5

		12015/			
8	Elguja Khintibidze, Tamta Grigolia	A Great Novelty in Rustvelian Studies: *The Man in the Panther Skin*' – Source of Plots of the XVII Century English Dramaturgy"; *Pro Georgia*, Journal of Kartvelological Studies.	№ 25	Warsaw	24 p.
9	კახაბერ ლორია	"EgnateNinoshvili's*Kristine* And Christian Krogh's *Albertine* In A Comparative Perspective." **The International Journal of Arts & Sciences (IJAS)**	2015 Volume 08, Number 02	ISSN: 1944-6934 InternationalJournal .org	7
10	კახაბერ ლორია	" "When The Sun Goes Down" - The Life, Work And Tragic End OfDagny Juel" **The Humanities and Social Sciences Review (HSSR)**	2015 Volume 04, Number 01	ISSN: 2165-6258 UniversityPublicati ons.net	6

ანოტაციები ქართულ ენაზე

მაკა ელბაქიძე:

1. Medieval Georgian Romance by Shota Rustaveli in the Context of European Chivalry Romance.

სტატიაში გამოკვეთილია, რომ *ვეფხისტყაოსნის* სტრუქტურულ-კომპოზიციური ორგანიზება, იდეურ-თემატური მოტივები და კომპოზიციური ელემენტები საკმაო მსგავსებას ამჟღავნებს ჟანრთან, რომელსაც ევროპული და ამერიკული ლიტერატურათმცოდნეობა Romance-ს სახელით იცნობს. მიუხედავად ამისა, უცილობლად უნდა აღინიშნოს, რომ ***ვეფხისტყაოსანი არ არის შუასაუკუნეების რაინდული რომანის (მით უფრო, კურტუაზული ლიტერატურის) ტიპური ნიმუში.*** თხზულებაში გვხვდება მთელი რიგი სპეციფიკური მხარეები, რომლებიც ჟანრის განვითარების გაცილებით მაღალ დონეზე მიგვანიშნებს. ესენია: ვეფხისტყაოსნის სტრუქტურული თავისებურება, პერსონაჟთა ხატვის რუსთველისეული მანერა, ალეგორიული პლანის რეალური პლანით შეცვლა და ა.შ. ამ ფაქტორთა გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ *ვეფხისტყაოსანი* ჟანრობრივი თვალსაზრისით არის შუასაუკუნეების რაინდული რომანი (Romance), რომელიც ე.წ. "გარდამავალი დროში" (გვიანდელი შუასაუკუნეები/რენესანსი) განახლებული კონსტრუქციის, გამომსახველობითი ფორმებისა (ნარატივის პლასტიკურობა და მრავალპლანიანობა) თუ კონცეპტუალური პრინციპების კვალობაზე ჟანრის გრადაციის ახალ ეტაპად, მის მაღალგანვითარებულ ფორმად უნდა მივიჩნიოთ.

ნანა გონჯილაშვილი:

1. ნაშრომში სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით და შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული მასალებისა და წყაროების საფუძველზე შესწავლილი და წარმოჩენილია „ვეფხისტყაოსნის" რუსულ პოეტურ თარგმანზე შ.ნუცუბიძის მუშაობის პროცესი, სტალინის როლი და მონაწილეობა პოემის აღნიშნული თარგმანის გამოცემაში, მიზეზები აღნიშნული თარგმანის შესრულებისა.

ეკა ვარდოშვილი:

1.პარიზის „აზიური საზოგადოება" და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი" - 1821 წელს პარიზში დაარსდა აღმოსავლეთის შემსწავლელი „აზიური საზოგადოება". „აზიურ

საზოგადოებაში“ მოღვაწეობის პერიოდიდან, კერძოდ 1830 წლიდან თეიმურაზ ბაგრატიონს მარი ბროსესადმი 40-ზე მეტი სამეცნიერო ხასიათის წერილი აქვს მიწერილი. ნაშრომში კვლევა ეხება „ვეფხისტყაოსნის“ ბოლო ბიბლიოგრაფიულ სტროფს.

2. ნ. გოგოლის„Размышления о Божественной литургий“, როგორც მსოფლიო მნიშვნელობის რელიგიური ხასიათის თხზულება – წიგნში ერთმანეთს ორიგინალურად ერწყმის სალვთისმეტყველო და ლიტერატურული მხარეები. იგი წარმოადგენს სასულიერო პროზის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს.

ინგა მილორავა:

ნაშრომში ასახულია პუშკინის დოკუმენტური მოთხრობის „გზის” ქრონოტოპის ის მონაკვეთი, რომელიც საქართველოს ეხება, აგრეთვე სივრცული მოდელი „ტიფლისი”. პუშკინის ნაწარმოების დროისა და სივრცის თავისებურებების ანალიზი ემსახურება უმთავრეს მიკზანს – ნათლად წარმოჩნდეს მოცემული ტრაველოგის ორიენტალისტური დისკურსი და მისი მცდარი მიმართება საქართველოს მიმართ

თამარ პაიჭაძე:

1. კულტურულ-ისტორიული ორიენტაცია – გამოწვევა ლიტერატურული პროცესისათვის

ლიტერატურის ისტორია ჟანრის, მეთოდოლოგიის, პრობლემატიკის და მხატვრული ფორმების მრავალფეროვნებასთან ერთად, კულტურულ- ისტორიული ორიენტაციის ისტორიასაც წარმოადგენს. ეს თეზა განსაკუთრებით მუშაობს კავკასიური კულტურის ისტორიის მაგალითზე. მათ შორისაა ქართული კულტურა და მისი ყველაზე წარმომადგენლობითი ნაწილი-ლიტერატურა.

ისტორიოგრაფიულ და ორიენტალურ კვლევებში აღიარებულია ადრექრიტიანული ფილოსოფიის ცალსახა გავლენა V-IX საუკუნეების ქართულ ლიტერატურულ პროცესზე, ეს კულტუროლოგიური ორიენტაცია ახლო აღმოსავლური კულტურულ-ისტორიული რეგიონის გავლენის შედეგი იყო. შემდგომ ეტაპზე (IX – XI საუკუნეები) აღმოსავლური კულტურული ორიენტაციის რადიუსი უფრო გაფართოვდა. აღმოსავლური კულტურული ტრადიციის ეს გავლენა საკმაოდ დიდხანს, XVIII საუკუნის დასასრულამდე გაგრძელდა. ...და ეს მაშინ, როცა აღმოსავლური კულტურა აღარ იყო კულტურული დომინანტი და გავლენის ამპლიტუდა თვით გეოგრაფიულად აღმოსავლურ გარემოზეც კი შესუსტდა.

XIX საუკუნის დამდეგიდან კი ქართულ კულტურაში შეინიშნება ერთგვარი ორიენტალური ჭრა და კულტურული ველის გადანაცვლების მცდელობა. პირველი „ევროპული სხივი“ ქართულ ლიტერატურაში ევროპულ მეთოდოლოგიას შემოჰყვა, იგულისხმება რომანტიკული სკოლა, თუმცა ეს ტენდენცია ფრიად იმპულსური და უკვალო აღმოჩნდა ქართული კულტურული შემეცნებისათვის.

ევროპეიზაციის პროცესი ფაქტობრივად XIX საუკუნის სამოციანი წლებიდან აღსდგა, როცა მწერლობაში ახალი ლიტერატურული თაობა გამოჩნდა თუმცა ერთ ეპოქაში მოღვაწეობის მიუხედავად, განსხვავებული იყო არჩევანი არამატერიალური ღირებულებებისკენ; მაგრამ ისტორიული მეხსიერებისათვის ევროპულ ფასეულობებთან ამგვარი მიახლება ორიენტაციის დამკვიდრების საფუძვლად ვერ იქცა.

XX საუკუნის დასაწყისში ქართული კულტურა-ლიტერატურა კვლავ დადგა უმძიმესი რეალობის წინაშე: სახეზე იყო აშკარა შემოქმედებითი კრიზისი, რაც მხატვრულ ღირებულებებთან ფსევდო და იაფფასიანი ლიტერატურის ჩანაცვლებით გამოიხატა. ეს პროცესი მარქსისტულ და ნიცშეანურ მსოფლმხედველობათა მენტალურ-ფილოსოფიური შეჯახების შედეგი იყო.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს კრიზისი იქცა ერთგვარ მოტივაციად და გამოწვევად ახალი შემოქმედებითი ძიებებისა, რომელიც იმ დროისათვის სრულიად ახალგაზრდა მომავალმა ქართველმა მოდერნისტებმა განახორციელეს. აქედან იწყება ევროპეიზაციის გამოკვეთილი და შეუქცევადი პროცესი ქართულ კულტურაში, მოდერნისტულმა ფილოსოფიამ ლიტერატურაში ახალი მხატვრული ფორმები დაამკვიდრა. პოეზიაში ეს იყო საგანთა და მოვლენათა მედიტაციური აღქმა„ ლირიკული გმირის ფსიქოსამყაროს

წარმოჩენა, სიმბოლურ-პარადიგმული აღქმის ხელოვნება, ირაციონალური სამყაროს და მასში ადამიანის როლის გაცნობიერება. ამასთან ერთად, ლიტერატურაში გამოჩნდა ახალი პერსონაჟი მოქალაქე, მეამბოხე, არსებული რეალობის მძაფრი აღმქმელი და გამაანალიზებელი -ე.წ. „ახლებური აღქმის“ გმირი.

ელენე გოგიაშვილი :

1. ირემი ქართულ ხალხურ ზღაპრებში

სტატიაში განხილულია ირმის სიმბოლიკის საკითხები ქართულ ხალხური ზღაპრების ანალიზის საფუძველზე, მოცემულია კლასიფიკაცია: 1) ირემი როგორც შემწე ცხოველი, 2) ირემი როგორც ჯადოქარი, 3) ირმის მაგიური ფუნქცია.

ელგუჯა ხინთიბიძე: სტატიაში ჩამოყალიბებულია ის ძირითადი არგუმენტები, რომელსაც ემყარება ქართველოლოგიასა და ინგლისურ ლიტერატურათმცოდნეობაში უკანასკნელ ათწლეულებში გამოვლენილი მნიშვნელოვანი სიახლე: შექსპირის და მის თანამედროვე დრამატურგთა მიერ XVII ს-ის პირველ ათწლეულში დაწერილი სამი ინგლისური პიესის ლიტერატურული წყარო არის *ვეფხისტყაოსანი.*

კახაბერ ლორია :

1. 1. სტატია ეძღვნება ცნობილი ნორვეგიელი მწერლის, მხატვრისა და თეორეტიკოსის Christian Krogh-ის გახმაურებული წიგნის- „ალბერტინე“ და ეგნატე ნინოშვილის ცნობილი მოთხრობის- „ქრისტინე“ ანალიზს შედარებით პერსპექტივაში. ორივე თხზულება პროსტიტუციის პრობლემას ეხმიანება, რაც, საზოგადოდ, საკმაოდ გავრცელებული თემა იყო მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ევროპული ქვეყნების ლიტერატურებში. როგორც ნორვეგიულ, ისე ქართულ პროზაულ ნაწარმოებს მკვეთრი სოციალური ჟღერადობა გამოარჩევს („ალბერტინე“, თავის დროზე, ერთ-ერთ გარდამტეხ მოვლენად იქცა ნორვეგიულ სოციალურ-პოლიტიკურ სინამდვილეში). იმავდროულად Krogh-ის თხზულება, რომელიც გარკვეულწილად განიცდის ემილ ზოლას რომანის- „ნანა“ გავლენას, პროსტიტუციის, როგორც არამარტო სოციალური მოვლენის, სხვადასხვა ასპექტის წინ წამოწევითა და საინტერესო მხატვრული დამუშავებითაცაა აღსანიშნავი.

2. სტატია ეძღვნება ერთ-ერთი პირველი სკანდინავიელი მოდერნისტი ქალის, თბილისის „გრანდოტელში“ 1901 წელს ტრაგიკულად გარდაცვლილი ნორვეგიელი მწერლის- დაგნი იულის ცხოვრებას და შემოქმედებას. საგულისხმოა, რომ ინტერესი დაგნის ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი დასავლეთში და, კერძოდ, ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში სულ უფრო იზრდება. სტატიის სათაურში გატანილია დაგნი იულის ერთ-ერთი პიესის სახელწოდება („როცა მზე ჩადის“).

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მაკა ელბაქიძე	იოზეფ როთი და ბიბლიური ტრადიცია	მე-9 საერთაშორისო სიმპოზიუმი ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები. თრადიცია და თანამედროვე მწერლობა. თბილისი 2015 წლის 23-25 სექტემბერი
2	მაკა ელბაქიძე	ტანსაცმლის სოციოკულტურული და რიტუალურ-სიმბოლური ფუნქციისათვის შუასაუკუნეების მწერლობაში (“ვეფხისტყაოსნისა” და ევროპულ;ი რაინდული რომანის მაგალითზე)	საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი. თბილისი. 2015 წლის 11-13 ნოემბერი
3	ლელა ხაჩიძე	აკაკი წერეთლის შემოქმედება და ქართული ჰიმნოგრაფიული ტრადიცია	23-25. 09. 2015-12-06 შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
4	ლელა ხაჩიძე	დავით აღმაშენებლის “გა-ლობანი სინანულისანი” (ზოგიერთი ახალი წყა-როს შესახებ)	თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია
5	ლელა ხაჩიძე	აკაკი წერეთლის ლირიკის ერთი ასპექტის შესახებ	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
6	ლელა ხაჩიძე	მირქმის დღესასწაულის ასახვა ქართულ ქრისტიან ულ ტრადიციაში	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
7	ნ.გონჯილაშვილი, ი. სანიკიძე	„ნათლის სვეტის“ სიმბოლო ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შემოქმედებაში	ქუთაისი, 25-27 ოქტომბერი, III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციია – „ენა და კულტურა“
8	ნ.გონჯილაშვილი	„ნათლის სვეტის“ პარადიგმა აკაკი წერეთლის შემოქმედებაში	თბილისი, თსუ, აკაკი წერეთლის დაბადებიდან 175 და გარდაცვალებიდან 100 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, 2015 წ. 21-23 ივნისი
9	ნ.გონჯილაშვილი	„ნათლის სვეტი“ – სიმბოლო სულიერი ნათლისა და XX	თბილისი, შოთა რუსთაველის სახ. ქართული

		ს-ის ქართული მწერლობა	ლიტერატურის ინსტიტუტი, IX საერთაშორისო სიმპოზიუმი, „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები, 2015, 23-25 სექტემბერი
10	ნ.გონჯილაშვილი	ღიმილი, როგორც სიამოვნების ფიზიკური გამოხატულების, მხატვრული სახე შუა საუკუნეების ქართულ საერო ლიტერატურაში	თბილისი, თსუ, ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების 170 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 19 დეკემბერი
11	ლადო მინაშვილი	აკაკი წერეთლის ცხოვრება და ღვაწლი	საერთაშორისო კონფერენცია "აკაკი წერეთელი და მისი ეპოქა" მიძღვნილი აკაკი წერეთლის დაბადებიდან 175 და გარდაცვალებიდან 100 წლისთავისადმი' რომელიც გაიმართა 2015 წლის 22–23 ივნისს თსუ–ში, პლენარულ სხდომაზე
12	ლადო მინაშვილი	ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის პოლემიკა "ვეფხისტყაოსნის" გარშემო	წაკითხული იქნა იმავე აკაკი წე4რეთლის იუბილისადფმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე სექციის სხდომაზე, დაიბეჭდა კონფერენციის მასალები
13	ლადო მინაშვილი	პავლე ინგოროყვა აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევარი	საერთაშორისო კონფერენცია, მიძრვნილი აკაკი წერეთლის დაბადებიდან 175 დაგარდაცვალებიდან 100 წლისთავისადმი საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის, თსუ უკრაინისთიკის ინსტიტუტის და კიევის ტარას შევჩენკოს სახ. ნაციონალური უნივერსიტეტის მონაწილეობით, რომელიც გაიმართა ქ. თბილისში, თსუ–ში 21 მაისს, 2015 წელს, დაიბეჭდა მასალები
14	ლადო მინაშვილი	პავლე ინგოროყვა	საერთაშორისო

		ნიკოლოზ ბარათაშვილის პოლიტიკური თვალსაზრისის შესახებ	კონფერენცია, მძღვნილი ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებიდან 170 წლისთავისადმი. გაიმართა თბილისში, თსუ–ში 2015 წლის 19 დეკემბერს. დაიბეჭდა თეზიდები
15	ლადო მინაშვილი	ილიასა და აკაკის პოლემიკა "ვეფხისტყაოსნის" გარშემო	აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია "აკაკი და საქართველო", გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თაოსნობით ქ, ხაშურში 2015 წლის 17 ოქტომბერს.
16	ე. ვარდოშვილი	ქრისტიანული კულტურა და აკაკი წერეთლის პოეტური ქმნილებები.	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „აკაკი წერეთელი და მისი ეპოქა". თბილისი თსუ 22-23 ივნისი 2015
17	ე. ვარდოშვილი	ლიტერატურული ტრადიცია - იოჰან ვოლფგანგ გოეთე და აკაკი წერეთელი.	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „აკაკი წერეთელი და მისი ეპოქა". თბილისი თსუ 22-23 ივნისი 2015
18	ე. ვარდოშვილი	გერონტი ქიქოძე ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ.	მე-9 საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია. თსუ 25-27.06.2015
19	ინგა მილორავა	ზღვის სივრცული მოდელი მოდერნისტულ ტექსტში	II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „თანამედროვე ინტერდისპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება" მასალები , ქ. ქუთაისი, 2015 წლის 9–11 ოქტომბერი
20	თამარ პაიჭაძე	კულტურულ-ისტორიული ორიენტაცია –გამოწვევა ლიტერატურული პროცესისათვის	თსუ, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი 23.09-26.09
21	თამარ პაიჭაძე	აკაკის „სინდრომი" XX საუკუნის დასაწყისის ქართულ პოეზიაში	თსუ 25.06-27.06

22	თამარ პაიჭაძე	ქალაქი-ლოგოსი, როგორც კულტურული სივრცე მოდერნისტულ ტექსტში	ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი 15.11-17.11
23	თამარ პაიჭაძე	ისტორია და კულტურულ-გეოგრაფიული სივრცე – ორიენტირი ლიტერატურული პროცესისათვის	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს საპატრიარქო 10.11-14.11
24	თამარ პაიჭაძე	რომანტიკული ლიტერატურის გავლენისათვის ქართულსიმბოლისტურ დისკურსზე	თსუ 19.12
25	რუსუდან ნიშნიანიძე	აკაკი ბელიაშვილის დოკუმენტური პროზა„ამერიკაში პარიზზე გავლით”	თსუ ამერიკის შესწავლის ინსტიტუტი ამერიკისმცოდნეობის საქართველოს ასოციაცია 14-16 .V თბილისი
26	რუსუდან ნიშნიანიძე	„პარიზში გამოცემული ქართული პოეტური კრებულები”	თსუ 27.V. თბილისი
27	რუსუდან ნიშნიანიძე	„ნიუ-იორკში დაბეჭდილი ერთი ლიტერატურული წერილი აკაკი წერეთლის რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის თაობაზე”	თსუ 22-23 VI. თბილისი
28	ქ. სიხარულიძე	მოლაშქრე ღვთაებათა თანმხლები ადამიანები	ფოლკლორისტთა 52–ე სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, ივნისი, 2015.
29	ქ. სიხარულიძე	ილია ხონელის ფოლკლორული პუბლიკაციები გაზეთში „ნოვოე ობოზრენიე“	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეცხრე საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 2015, ივნისი.
30	ქ. სიხარულიძე	ქართულ–ოსური ფოლკლორული ურთიერთობის საკითხისათვის	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქართულ–ოსური ურთიერთობების განვითარების პერსპექტივები თანამედროვე ჭრილში“, 2015წ. 13–15 ოქტომბერი. თბილისი
31	გოგიაშვილი, ელენე	ეთნოგრაფიული ცნობები ამერიკის შესახებ იოანე ბაგრატიონის “ხუმარსწავლაში”	14-16 მაისი, 2015 თბილისი, თსუ ამერიკისმცოდნეობის XVI

			ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია
32	გოგიაშვილი, ელენე	ფოლკლორული წყაროები ქართულ-ჩრდილოკავკასიური ურთიერთობების შესახებ "კავკასიის ტომთა და ადგილთა აღწერის მასალათა კრებულში" (1881-1900)	24-25 ივნისი, 2015 თბილისი, თსუ თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეცხრე საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია
33	გოგიაშვილი, ელენე	ხალხური თხრობითი ტრადიციის კვლევა აკაკი წერეთლის წერილებში და ცნობიერების ანალიზის მეთოდი თანამედროვე ფოლკლორისტიკაში	23-25 სექტემბერი, თბილისი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი VIII საერთაშორისო სიმპოზიუმი "ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები"
34	გოგიაშვილი, ელენე	ფოლკლორული წყაროები ქართულ-ოსური ურთიერთობების შესახებ რუსულ პერიოდულ კრებულებში (1855-1900)	13 ოქტომბერი თბილისი, თსუ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "ქართულ-ოსური ურთიერთობების განვითარების პერსპექტივები თანამედროვე ჭრილში"
35	გოგიაშვილი, ელენე	კულტურული კონტაქტების როლი ფოლკლორის ნაციონალურ რეპერტუარში (ქართულ-ოსური სიუჟეტური პარალელები)	15-18 ოქტომბერი თბილისი, თსუ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "მიგრაციული პროცესები და იდენტობათა ტრანსლაცია"
36	გოგიაშვილი, ელენე	ხალხური ზღაპრის შესწავლის ეთნომუსიკოლოგიური ასპექტები	10-12 ნოემბერი თბილისი, თსუ სამეცნიერო კონფერენცია "ეთნოლოგია გუშინ და დღეს: კულტურის კვლევის პრობლემები"
37	ტრისტან მახაური	ხადას ხეობის ფოლკლორული მასალები	2015 წლის 19 დეკემბერი, გუდაური. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

			„აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორია და სიძველეები“
38	ტრისტან მახაური	თანამედროვე ფოლკლორისტიკისა და ეთნოლოგიის პრობლემები	2015 წლის 15 აპრილი. თბილისი. თსუ ეთნოლოგთა მუდმივმოქმედი სემინარი
39	ხ. მამისიმედიშვილი	ფოლკლორული მოტივები მელანიას მოთხრობაში „ბნელო“	მე-9 **საერთაშორისო სიმპოზიუმი** „ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა“, სიმპოზიუმი მიეძღვნა აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან 100 წლისთავს. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. 23-25 სექტემბერი, 2015 წელი
40	ხ. მამისიმედიშვილი	ჯვარ-ხატთა და ძუართა სადიდებლების საერთო სტრუქტურული და მსოფლმხედველობრივი ასპექტები	**საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია** კავკასიური ცივილიზაცია: ინტერდისციპლინური კვლევები, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კავკასიოლოგიის ინსტიტუტი, არქეოლოგიის ინსტიტუტი.
41	ხ. მამისიმედიშვილი	მითოლოგიური ელემენტების რეპრეზენტაცია აკაკი წერეთლის შემოქმედებაში	**საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია:** „აკაკი წერეთელი და მისი ეპოქა“, მიძღვნილი აკაკი წერეთლის დაბადებიდან 175 და გარდაცვალებიდან 100 წლის იუბილესადმი. ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 22-23 ივნისი, 2015 წელი.
42	ხ. მამისიმედიშვილი	საკრალური და საგმირო მოტივების კონტამინაცია საყეინო თასისა და ნართების ვაცამონგას ფუნქციებში	ფოლკლორისტთა 52-ე სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, ეძღვნება აკაკი წერეთლის 175 წლისთავს. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 3 ივნისი, 2015 წელი.

43	ხ. მამისიმედიშვილი	ქრისტიანული ელემენტები და მათი ტრანსფორმაცია ჩერქეზულ მითოლოგიურ წარმოდგენებში (ЗКОИРГО-ში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით)	მეცხრე საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას დაბადებიდან 125 წლისთავისადმი, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 24-25 ივნისი, 2015 წელი.
44	ნესტან სულავა	აკაკი წერეთლის პოემა `ანდრია პირველწოდებული~	აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015
45	ნესტან სულავა	ქართული საეკლესიო გალობის მრავალხმიანობის პრობლემა ქართულ საღვთისმეტყველო ლიტერატურაში.	ქართველოლოგიური კონგრესი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, 2015 წელი, ნოემბერი, თბილისი
46	ნესტან სულავა	სულიერი ზეადსვლის ჰიპოდიგმურ-პარადიგმული სახისმეტყველება დავით წინასწარმეტყველის, წმ. ანდრია კრიტელისა და დავით აღმაშენებლის მემკვიდრეობაში („ფსალმუნნი“, „დიდი კანონი“, „გალობანი სინანულისანი“)	დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი II საერთაშორისო კონფერენცია, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, 2015
47	ნესტან სულავა	არეოპაგიტული მოძღვრება სიკეთისა და ბოროტების შესახებ, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიციის ერთ-ერთი საფუძველი	სამეცნიერო გულანის სხდომა,სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015
48	ნესტან სულავა	წმ. მარიამ მაგდალინელის ხატ-სახის ინტერპეტაციისათვის ძველ ქართულ მწერლობაში (ნანა გონჯილაშვილის თანაავტორობით).	სამეცნიერო კონფერენცია,სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015
49	ელგუჯა ხინთიბიძე	*ვეფხისტყაოსნისეული* მხატვრული სახეები ინგლისური ლიტერატურული კრიტიკის თვალსაზრისით	24 სექტემბერი, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი.
50	ელგუჯა ხინთიბიძე	ქართველოლოგიის დიდი სიახლე (*ვეფხისტყაოსანი* – ინგლისური ლიტერატურული რენესანსის სიუჟეტური წყარო).	9 ოქტომბერი, აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი, ქუთაისი.
51	ელგუჯა ხინთიბიძე	ნიკო მარი და ქართული ლიტერატურა	23 ოქტომბერი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბილისი.
52	ელგუჯა ხინთიბიძე	დიდი სიახლე	12 ოქტომბერი,

		მედიევისტიკაში და ქართული ფილოლოგია	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბილისი.

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

მაკა ელბაქიძე:

1. **იოზეფ როთი და ბიბლიური ტრადიცია**

“თანამედროვეობა იმით განსხვავდება წარსულისგან, რომ ის აღიქვამს წარსულს ისეთი სიცხადით და ისეთ ასპექტში, რომელიც თვით ამ წარსულისთვის მიუწვდომელია”, – წერდა თომას ელიოტი 1919 წელს გამოქვეყნებულ ესეში “ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა”. აქედან გამომდინარე, ყველა მწერალი “ტრადიციულია”, რაც იმას ნიშნავს, რომ ლიტერატურული შემოქმედება, გარკვეულწილად, წარსულის არქეოლოგიურ რეკონსტრუქციასაც გულისხმობს. მე-19 საუკუნის მიწურულს ავსტრია-უნგრეთის პერიფერიაზე დაბადებული იოზეფ როთისთვის, ალბათ, ძალზე ძნელი იყო საკუთარი კულტურული ფესვების ძიება. სამი განსხვავებული კულტურის (ებრაული, ავსტრიული, რუსული) “გზაჯვარედინზე” მყოფ მწერალს ბედმა კიდევ ერთი გზასაყარის პირისპირ დგომა არგუნა წილად. 1919 წელს დაინგრა იმპერია და როთმა, ისევე როგორც ათასობით მისმა თანამემამულემ, დაკარგა მოქალაქეობა, ნაციონალური კუთვნილება, სამშობლო და თავისი შორეული წინაპრების მსგავსად “სამუდამო მოხეტიალედ” იქცა. მომავალმა მწერალმა, რომელმაც უდიდესი ნებისყოფის წყალობით შეძლო, გამკლავებოდა სიღატაკეს, მიეღო სრულყოფილი განათლება ევროპის ერთ-ერთ წამყვან უნივერსიტეტში, 3-4 წელიწადში მიაღწია იმას, რასაც ზოგჯერ ათწლეულები სჭირდება – აღიარებას, მკითხველისა და კრიტიკის კეთილგანწყობას, მატერიალურ კეთილდღეობას, ოჯახურ ჰარმონიას. მიუხედავად იმისა, რომ პატივმოყვარეობა უცხო იყო ამ თავმდაბალი და კეთილშობილი ადამიანისთვის, რომელიც უშურველად გასცემდა და სანაცვლოდ არაფერს ითხოვდა, მისი კეთილდღეობა, ბიბლიური იობისა არ იყოს, ერთი ხელის მოსმით დაინგრა (ცოლის მძიმე ავადმყოფობა, ევროპის თავზე აღმართული ნაციზმის აჩრდილი, ისევ უსამშობლობა, ისევ ხეტიალი, ლოთობის სენი). აწმყო მისთვის სასტიკი და დაუნდობელი აღმოჩნდა, ამიტომ მწერალმა დროებით “დაივიწყა” თანადროული საჭირბოროტო პრობლემები და “ტრადიციულ”, სამარადისო თემებს მიმართა. წერალი “უბრუნდება” თავის პირვანდელ ფესვებს, ბიბლიას და ძველი აღთქმის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული “პერსონაჟის” კვალობაზე ქმნის “ახალ იობს”, ტანჯვაში გამოტარებული რწმენის სიდიადის კიდევ ერთ განსახოვნებას. ეს რომანი კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ მწერალს თავის გმირებზე არანაკლებ სჭირდება ნუგეშისცემა, პოეტური გამონაგონის ზემოქმედებით იმ შინაგანი საყრდენის მოპოვება, რომელსაც ადამიანს ანიჭებს მითი, უტოპია, ურყევობის რწმენა.

2. **ტანსაცმლის სოციოკულტურული და რიტუალურ-სიმბოლური ფუნქციისთვის შუასაუკუნეების მწერლობაში**
(“ვეფხისტყაოსნისა” და ევროპული რაინდული რომანის მაგალითზე)

ტანსაცმლის ტარებისა და საკვების მიღების ეტიკეტს ნებისმიერი ცივილიზებული საზოგადოების კულტურაში უმნიშვნელოვანესი ადგილი განეკუთვნება. ამ თვალსაზრისით გამოირჩევა შუასაუკუნეები, რომელსაც პირობითად “რიტუალიზირებული ეპოქა” შეიძლება ვუწოდოთ. ტანისამოსს, “სოციალური ცხოვრების ამ სიმბოლურ ჟესტს” (ლე გოფი), ფასეულობათა სისტემაში უმნიშვნელოვანესი ადგილი ეჭირა. ტანსაცმელი არა მარტო ათბობდა ან ამშვენებდა შუასაუკუნეების ადამიანს, არამედ მიჩეული იყო პიროვნების სოციალური სტატუსის განმსაზღვრელ უმთავრეს კრიტერიუმად.
ტარების ეტიკეტის როლის შესწავლა ისევე მნიშვნელოვანია ხელოვნებასა და ლიტერატურაში, როგორც სოციალურ პრაქტიკაში, ვინაიდან ლიტერატურულ ძეგლებში ამ ეტიკეტით განისაზღვრებოდა არა მარტო პერსონაჟთა საზოგადოებრივი მდგომარეობა,

არამედ ხდებოდა გარკვეული სიუჟეტური სვლების სიმბოლიზირება და ნარატივის მნიშვნელოვანი მომენტების აქცენტირება.

ევროპულ რაინდულ რომანში, ისევე როგორც ვეფხისტყაოსანში, ტანისამოსს აქვს როგორც სოციოკულტურული და სოციოპროფესიონალური, ისე რიტუალურ-სიმბოლური ფუნქცია. შესაბამისად: ა) მისი საშუალებით ხდება პიროვნების (ამ შემთხვევაში პერსონაჟის) იდენტიფიცირება საზოგადოებაში, მისი სოციალური სტატუსისა და როლის ხაზგასმა; ბ) ის (ძვირფასეულობასთან ერთად) გვევლინება ფეოდალური საზოგადოების უმთავრესი პრინციპის – ჩუქება-ბოძების – უცილობელ ატრიბუტად; გ) სიმბოლურად ასახავს ფეოდალური საზოგადოებისთვის დამახასიათებელ გარკვეულ რიტუალურ თუ საწესჩვეულებო ნორმებს; დ) მთელ რიგ შემთხვევებში ტანსაცმლის სიმბოლიკას აქვს არა იმდენად წმინდა ეთნოგრაფიულ-რიტუალური, რამდენადაც მხატვრულ-ესთეტიკური დატვირთვა.

შუასაუკუნეების რაინდულ რომანს კურტუაზიულთან ერთად ავანტიურულსაც უწოდებენ, ვინაიდან ნარატივის მნიშვნელოვანი ნაწილი საკარო ცივილიზაციისგან მოშორებით, ე.წ. "სხვის სივრცეში" (ველური ტყე, ზღვა და ა.შ) ვითარდება. ნარატივში ავანტურული ელემენტის შემოტანასთან ერთად სამოსის ტარების კოდექსი მინიმალურ როლს ასრულებს. სხვაგვარად შეუძლებელიცაა, რადგან მოქმედება აქ ვითარდება ტყეში, ე.წ. ველურ გარემოში, სადაც რაინდს ელის ნამდვილი განსაცდელი, სადაც არ არსებობს საჭიროება სამოსის ტარების წესების დაცვისა და ძვირფასი ტანისამოსის დემონსტრირებისა. ტყეში უმთავრეს მნიშვნელობას იძენს მეომრის/მონადირის სამოსელი.

ხეტიალი/ძიების მოტივის ამოწურვის შემდგომ მოქმედება უბრუნდება საწყის წერტილს (სენიორის კარი), რომელიც პროტაგონისტისთვის ფამილიარულთან ერთად კომფორტულ (ცივილიზებულ) გარემოში დაბრუნებას მოასწავებს. შესაბამისად, ნარატივის ამ მონაკვეთში საპარადო სამოსის დემონსტრირებას, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში ჩუქება-ბოძების მოტივთანაა გადაჯაჭვული, მოსდევს ე.წ. გასტრონომიული აპოთეოზი, თავისებური დეკლარირება საკარო ცივილიზაციისთვის დამახასიათებელი ფუფუნებისა.

ლელა ხაჩიძე:

1. აკაკი წერეთლის შემოქმედება და ქართული ჰიმნოგრაფიული ტრადიცია

აკაკი წერეთლის შემოქმედების მიმართება ძველ ქართულ მწერლობასთან მრავალმხრივია და მოიცავს როგორც ლიტერატურათმცოდნეობით, ისე საღვთისმეტყველო და ისტორიულ პრობლემატიკას. აკაკი წერეთლის შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა ქართული აგიოგრაფია და ჰიმნოგრაფია. ეს საკითხი დღეისათვის მხოლოდ ნაწილობრივაა შესწავლილი.

აკაკი კარგად იცნობს ქრისტიანულ მოძღვრებას, საეკლესიო პრაქტიკას, სასულიერო მწერლობის ნიმუშებს. ამ კონტექსტში ყურადღებას იმსახურებს აკაკი წერეთლის ისტორიული პოემა "თორნიკე ერისთავი", რომლის უშუალო წყაროს წარმოადგენს გიორგი ათონელის "იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება". მასთან ერთად, აკაკი წერეთელი, როგორც ირკვევა, იცნობდა სხვა წყაროებსაც, რომლებიც დღეისათვის მხოლოდ ათონზე დაცულ ქართულ ჰიმნოგრაფიულ ხელნაწერებშია შემონახული. აკაკის შემოქმედებაში გამოიყოფა მთელი ციკლი ლექსებისა, რომლებშიც ცხადადაა ასახული ქართული ჰიმნოგრაფიული ტრადიცია. მათი სრულყოფილი კვლევა შეუძლებელია ქართული საგალობლების გათვალისწინების გარეშე.

აკაკი წერეთლის ამ ციკლის ლექსები ეძღვნება წმინდა სამებას, მაცხოვარს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს, ქრისტიანულ დღესასწაულებს. ზოგიერთ მათგანში ქების ობიექტი შეფარულადაა წარმოდგენილი. ამის გამო ისინი მხოლოდ ცალმხრივაა განხილული სამეცნიერო ლიტერატურაში.

2. დავით აღმაშენებლის "გალობანი სინანულისანი"
(ზოგიერთი ახალი წყაროს შესახებ)

თეოდორე სტუდიელის "მეორად მოსვლისადმი" მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული კანონი, როგორც ირკვევა, ქართული ჰიმნოგრაფიის შედევრის – დავით აღმაშენებლის "გალობანი სინანულისანის" ერთ-ერთი წყაროა. როგორც თეოდორე სტუდიელის, ისე დავით აღმაშენებლის საგალობელში საუბარია საყოველთაო და არა "კაცად-კაცადისი" განკითხვის შესახებ. ორივე ავტორი საუბრობს არა მხოლოდ პირად, არამედ ზოგადადამიანურ ცოდვებზე. ორივე მათგანისათვის საერთოა სინანულისა და საკუთარი უღირსობის უღრმესი განცდა. თეოდორე სტუდიელის კანონი "გალობანი სინანულისანს" გვაგონებს არა მხოლოდ ზოგადი კონცეფციითა და სინანულის მოტივის სიმძაფრით, არამედ მსგავსი მხატვრული სახეებითა და ფრაზეოლოგიითაც.

ქართულ ენაზე თეოდორე სტუდიელის ამ საგალობლის მესამედ მთარგმნელი – არსენ იყალთოელი დავით აღმაშენებლის უახლოესი პირი იყო. სწორედ მას დაავალა მეფემ ქართულ ენაზე ანდრია კრიტელის "დიდნი გალობანის" მესამედ თარგმნა. როგორც ჩანს, იგი კარგად იცნობდა თეოდორე სტუდიელის აღნიშნული კანონის არსენ იყალთოელისეულ თარგმანსაც.

3. აკაკი წერეთლის ლირიკის ერთი ასპექტის შესახებ

ჰიმნოგრაფიის შემდეგ პირველად აკაკის შემოქმედებაში მოხდა ლექსისა და მელოდიის განუყოფელი მთლიანობის აღდგენა. ქართული კლასიკური საგალობელი ამ მხრივ გარკვეულ ნორმებს ექვემდებარებოდა, მაგრამ სწრაფვა მელოდიურობისაკენ, მელოდიისა და მუსიკის შერწმა დამახასიათებელი იყო მისთვისაც.

აკაკი წერეთლის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქრისტოლოგიურ პრობლემატიკას. ავტორი კარგად იცნობს ქრისტიანულ მოძღვრებას, საეკლესიო პრაქტიკას, სასულიერო მწერლობის ნიმუშებს. ეს ტენდენცია ზოგადად დამახასიათებელია აკაკი წერეთლის შემოქმედებისათვის. ამასთან ერთად, აკაკის შემოქმედებაში გამოიყოფა მთელი ციკლი ლექსებისა, რომლებიც უშუალოდ ჰიმნოგრაფიულ ტრადიციას "აგრძელებს". მათი კვლევა შეუძლებელია ძველი ქართული საგალობლების გათვალისწინების გარეშე.

აკაკის ლექსი "ქრისტე აღდგა" ეძღვნება აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. მას სასულიერო პოეზიაში ბევრი ანალოგი მოეძებნება. მათ შორისაა ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საგალობელი – იოანე დამასკელის "აღდგომის კანონი", რომელიც აკაკის ამ ლექსის წყარო უნდა იყოს. აღდგომის დღესასწაულის ეძღვნება აკაკის მეორე ლექსიც (ამავე სათაურით), რომელსაც სათაურის ქვეშ მიწერილი აქვს "ჩემს სათაყვანოს". მასში გამოხატული სასოებისა და ღთაებრივი მიჯნურობის მიზეზი ყოვლადწმინდა ღვთისმშობელია. ჯვარცმასთან მდგომი ღვთისმშობლის სახე გავრცელებულია ქართულ ჰიმნოგრაფიასა და შემდგომი დროის მწერლობაში. აკაკი ითვალისწინებს ამ დიდ ტრადიციას და ამავე დროს, ახლებურად გაიაზრებს მას.

სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა ასპექტითაა განხილული აკაკი წერეთლის ლექსი "ქებათა ქება." მისი სრულყოფილი კვლევა ძველი ქართული საგალობლების სახისმეტყველების გათვალისწინებასაც მოითხოვს.

ქრისტოლოგიის პრობლემატიკას, ვფიქრობთ, მჭიდროდ უკავშირდება აკაკი წერეთლის ცნობილი შედევრი "სულიკო".

4. მირქმის დღესასწაულის ასახვა ქართულ ქრისტიანულ ტრადიციაში

მირქმა ერთ-ერთი საუფლო დღესასწაულია. მის შესახებ საუბარია ლუკას სახარებაში (ლუკა 2, 22-40). აქ აღწერილი რიტუალი ემყარება ძველ იუდაისტურ ტრადიციას. მოხუცი სვიმეონი, შემდგომში მართლად წოდებული, ღვთის ნებით იქნა განწესებული ჩვილი იესოს "მიმრქუმელად". მისი სიტყვები წარმოადგენდა წინასწარმეტყველებას "ახალ აღთქმაში" აღწერილი სხვა მოვლენების შესახებ.

მირქმის კომპოზიცია ფართოდაა ასახული ქრისტიანული ხელოვნების სხვადასხვა დარგში. IX საუკუნიდან ჩამოყალიბდა მირქმის კანონიკური კომპოზიციის სქემა.

საქართველოში, ბიზანტიურ ხელოვნებაში არსებულ ტრადიციასთან ერთად, ადრეულ ხანაშივე გავრცელდა განსხვავებული იკონოგრაფიული სქემა, რომელზეც გამოსახულია ანთებული სანთელიც (ან სანთლები). მირქმის სცენაში ანთებული სანთლების გამოსახვა, როგორც ჩანს, უძველესი იერუსალიმური ტრადიცია იყო, მაგრამ იერუსალიმური წარმოშობის ძეგლებზე შემორჩენილი არ არის. ქართულ ტრადიციაში მისი დამკვიდრება განპირობებული უნდა იყოს ადგილობრივი რიტუალითაც, რომელიც "ლამპრობის" სახელითაა ცნობილი. ლამპრობა ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი უძველესი დღესასწაულია. მას დიდი პატივით აღნიშნავდნენ ძველად იერუსალიმის ეკლესიაში.

კ.კეკელიძის მიხედვით, მიგებების დღესასწაული საქართველოში ცნობილი იყო "ლამპრობის" სახელწოდებით. ამ სახელწოდებით გვხვდება იგი "უძველეს იდგარში", აპოკრიფში "მაცხოვრის სიყრმის შესახებ" და "ქართლის ცხოვრებაში". ივ. ჯავახიშვილი ლამპრობას ძველ ტრადიციად მიიჩნევს და მას უკავშირებს სვანურ დღესასწაულს "ლიმპაჲრს".

ამრიგად, ქართულ ხელოვნებაში მირქმის კომპოზიციაში ანთებული სანთლის (ან სანთლების) გამოსახვა ლამპრობის დღესასწაულის ანარეკლი უნდა იყოს. ეს დღესასწაული კი მტკიცედ ყოფილა დამკვიდრებული საქართველოს მთასა და ბარში.

ამ ტრადიციის ანარეკლი ჩანს ქართულ ჰიმნოგრაფიაშიც. მიქაელ მოდრეკილის "იადგარში" შესულია მირქმის დღესასწაულისადმი მიძღვნილი საგალობელი, რომელიც იოანე მინჩხს ეკუთვნის. საგალობელში შთამბეჭდავადაა გადმოცემული ამ ეპიზოდის ღრმა სულიერი დატვირთვა. საგალობელში საუბარია ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებაზე (ესაია 9,1-4), რომელიც განხორციელდა ახალ აღთქმაში. საგალობლის ბოლოს კი ხდება მირქმის დღესასწაულის განზოგადება, მისი უნივერალური შინაარსის ჩვენება. სწორედ ამ დროს შემოდის ლამპრობის დღესასწაულის თემა.

ამ შემთხვევაში იოანე მინჩხი ქართულ ხელოვნებაში არსებულ ტრადიციას მისდევს.

ქართულ მწერლობაში ფართო გავრცელება ჰპოვა მირქმის ეპიზოდში სვიმეონ მართლის მიერ წარმოთქმულმა სიტყვებმა, რომლებიც წარმოადგენს წინასწარმეტყველებას ჯვარცმისას ღვთისმშობლის ტანჯვის შესახებ: "და თუთ სულსაცა შენსა განვლოს მახვილმან მწუხარებისამან!" ამ მახვილის სიმბოლური შინაარსი გახსნილია დიდი ქართველი პოეტების - იოანე მინჩხის, ეფრემ მცირის და დავით გურამიშვილის მიერ.

ნანა გონჯილაშვილი:

1. ნაშრომში – „ნათლის სვეტის" სიმბოლო ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შემოქმედებაში – დაძებნილი და შესწავლილია „ნათლის სვეტის" სიმბოლო და მისი პარადიგმული სახისმეტყველება ილიასა და აკაკის თხზულებებში, წარმოჩენილია მათი ბიბლიური არქეტიპები, განხილულია მიმართებანი, გამოვლენილია ახალ სახექმნადობათა თავისებურებანი. მოძიებული და შესწავლილი მასალის საფუძველზე იკვეთება შემდეგი –ილიას შემოქმედებაში „ნათლის სვეტი", „სვეტი-ცხოველი", ღვთისჩენის განსახოვნებაა. მზის სხივის სვეტი იგივე ნათლის სვეტია, ღვთისჩენის სასწაული, ღვთიური ნების გამოვლინება („განდეგილი"); „სვეტი ცხოველი" ქართველთა სარწმუნოებრივ-ეროვნული იდეალების დედა-ბოძია, ჭეშმარიტებისა და სიბრძნის სვეტია, რომლის გაცხოველება, პოეტის აზრით, ქართველთა კვლავ აღყვავების, აღდგინების ნიშან-სვეტად წარმოდგება („აჩრდილი"). აკაკის შემოქმედების მიხედვით, „ნათლის სვეტის" სიმბოლო არაერთგზის ვლინდება, კერძოდ, პოემაში – „თორნიკე ერისთავი" – სიკეთე „სვეტი-ცხოველია", „სვეტი-ცხოველი" უფლის ნიშან-სვეტია; შესაბამისად, სიკეთე უფლისმიერია და ღმერთი სახიერია. ამგვარად, ა. წერეთლის გააზრებით, ადამიანის მიერ ქრისტიანობის დიდებისათვის აღსრულებული კეთილი საქმე – „ქრისტიანობის სვეტიცხოველი" – უფლისათვის გაღებული „ძღვენია"; ლექსში – „შეყვარებული დემონი და ანგელოსი" – „სხივის კიბე", ანუ „ზეციური კიბე", მასზე „გადმოშვებული" „ფრთებელვარე" ანგელოზი და ნათლის სვეტი – კოსმიურ იერარქიას გულისხმობს და ბიბლიურ პარადიგმათა შესატყვისადაა მოწოდებული; ლექსში – „ხატის წინ" – „ცის სვეტი" სიმყარის, უძრაობა-მდგრადობის მნიშვნელობითაა მოხმობილი და პოეტი მას, ლექსის

შინა-არსის კვალობაზე, თავის ფსიქო-სომატურ მდგომარეობას შეამსგავსებს. ეს „ცის სვეტი“, პოეტის ფიზიკური ყოფის შესატყვისი, ამავდროულად მისი სულიერი ყოფის ნათლის სვეტად აღიქმება; ლექსში – „სიზმარი“ – ნათლის სვეტისა და ცისარტყელას განსახოვნებათა ურთიერთშერწყმა „ტრადიციულ“ ღვთისმეტყველებას ეფუძნება (ბიბლიის კვალობაზე ღვთის აღთქმის დამამოწმებელი სიმბოლოა და რომელიც „სიზმარში“ თამარ მეფის სიტყვათა დამამოწმებელია). „ნათლის სვეტათ“ გადმოშვებული ცისარტყელა თითქოს სიზმრად ნანახის ბოლოკეთილობის, თამარის სიტყვების დამოწმების სიმბოლოა, იმავდროულად – სიზმრის დასრულების სიმბოლო. ნათლის სვეტად გადმოსული ცისარტყელა რეალურსა და ირეალურს შორის ერთგვარი ზღვარია, მიწიერისა და ზეციურის გამყოფი მიჯნაა, რომლის ჩამოსვეტება-განფენა სიზმრად ნანახის ღვთაებრივთან წილნაყარობის, მისი დიდების შარავანდედთან ზიარების მაჩვენებელია; მოთხრობაში – „ორი სიზმარი –„ნათლის სვეტის“ თავჩენა თეოფანიის მაუწყებელია. ა. წერეთლის მიერ მოხმობილი „ნათლის სვეტი“ „ჭეშმარიტების სვეტის“ და „ცეცხლის სვეტის“ ბიბლიურ პარადიგმათა კვალობაზეა გააზრებული – „მზე სიმართლისა“ აღმობრწყინდება და თავის მორწმუნეთ „ნათლის სვეტით“ განანათლებს, ურწმუნოთ და ცოდვილთ (ისრაელთა მდევნელ ეგვიპტელთა მსგავსად) კი „ცეცხლის სვეტით წარწყმედს; მოთხრობაში – „ბაში-აჩუკი“ – უფალი ნათლის სვეტის ჩენით ამოწმებს, რომ მეომრები მისი წმინდანები არიან. „ნათლის სვეტის“ პარადიგმის ამგვარი გააზრება, რომელიც ზემოგანხილულ აგიოგრაფიულ თხზულებებში არაერთგზისაა გამოვლენილი, ბიბლიურ არქეტიპის შინა-არსითაა მოწოდებული.

2. ნაშრომში – „ნათლის სვეტის“ პარადიგმა აკაკი წერეთლის შემოქმედებაში – დაძებნილი და შესწავლილია ა. წერეთლის შემოქმედებაში აღნიშნული პარადიგმის განსახოვნებანი და ბიბლიური არქეტიპის სახისმეტყველებითი გარდასახვანი. ამ მიზნით განხილულია პოემა „თორნიკე ერისთავი“, რომელშიც „სვეტი-ცხოველის“ შინა-არსი ახალი ხედვითაა წარმოჩენილი – სიკეთე ნათლის სვეტადაა მიჩნეული; ლექსი – „სიზმარი“, რომელშიც „ნათლის სვეტი“ სიზმრად ნანახის ბოლოკეთილობის, თამარ მეფის სიტყვების დამოწმების სიმბოლოა; მოთხრობა – „ორი სიზმარი“, რომელშიც „ნათლის სვეტის“ პარადიგმის თავჩენა თეოფანიის მაუწყებელია. იგი „ჭეშმარიტების სვეტისა“ და „ცეცხლის სვეტის“ ბიბლიურ პარადიგმის კვალობაზეა გააზრებული; მოთხრობა – „ბაში-აჩუკი“, რომელშიც დაღუპულ გმირებთან „ნათლის სვეტის“ გამოჩენა უფლისგან მათი სიწმინდის დამამოწმებელია; ლექსი „შეყვარებული დემონი და ანგელოსი“, რომელშიც „ნათლის სვეტი“, „სხივის კიბე“ და მასზე გადმოსული ანგელოზი კოსმიურ იერარქიას განასახოვნებს და ბიბლიური სწავლების შესატყვისადაა მოწოდებული; ლექსი „ხატის წინ“, რომელშიც „ცის სვეტი“ პოეტის სულიერი ყოფის ნათლის სვეტად აღიქმება. სანთელი და მისი ნათელი მიემართება „ცის სვეტსა“ და ნათლის სვეტს, ორივე – თავად პოეტს. აკაკი „ნათლის სვეტის“ პარადიგმას ბიბლიური არქეტიპის შინაარსით და განსხვავებული ინტერპრეტაციითაც წარმოაჩენს.

3. ნაშრომში – „ნათლის სვეტი“ – სიმბოლო სულიერი ნათლისა და XX ს-ის ქართული მწერლობა – შეძლებისდაგვარად, დაძებნილი და წარმოჩენილია „ნათლის სვეტის“ პარადიგმა XX ს-ის ქართველ მწერალთა (გ. ტაბიძის, ტ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, ნ. სამადაშვილის, ა. კალანდაძის, ი. ნონეშვილის) შემოქმედებაში; შესწავლილი და განხილულია აღნიშნული პარადიგმის სახისმეტყველება, წარმოჩენილია მისი მიმართებანი ბიბლიურ არქეტიპებთან, გამოვლენილია თავისებურებები, ახლებური გააზრებები და ინტერპრეტაციების ცდანი. თხზულებათა ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი – რიგ შემთხვევებში „ნათლის სვეტის“ პარადიგმა ტრადიციულია და იგი უფლის მყოფობის ნიშან-სვეტია, ღვთაებრიობის სიმბოლო და სახე-იდეა; „ნათლის სვეტის“ იგივე „სვეტი-ცხოვლის“ პარადიგმა ღვთაებრივი სიწმინდის, ღვთაებრივი მადლის გადმოსვლის ნიშან-სვეტია, რომელიც პოეტს ზეაღმსწრაფი სულიერებით მსჭვალავს და უხილავ გრძნობა-განცდებთან აზიარებს; „ნათლის სვეტის“ პარადიგმა ქრისტიანობის სიმბოლო და ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეალების გამომხატველია. „ნათლის სვეტის“ ამგვარი გააზრება გარკვეულწილად ბიბლიურ პარადიგმას მიჰყვება და კიდევ ერთხელ გამოკვეთს აზრს, რომ

სამშობლოსათვის შეწირულ ერისშვილთა სიცოცხლე ღვთივკურთხეულია და რომ „ნათლის სვეტის“ თავჩენისათვის დრო-სივრცული ზღვარი არ არსებობს. ზოგიერთი შემოქმედის მიერ გამორჩეული პიროვნების „ნათლის სვეტის“ სახექმნადობით წარმოდგენა განსხვავდება აგიოგრაფთა განსახოვნებისგან და ამგვარი გააზრებით იგი რუსთაველის შემოქმედებას უკავშირდება. გარკვეულ შემთხვევებში ქართველ მწერალთა შემოქმედებაში წარმოჩენილი „ნათლის სვეტი“ ერთობ რთული სახისმეტყველების მქონე სახე-სიმბოლოა, რომელიც ორპლანიან წაკითხვას ითხოვს – ჰორიზონტალურსა და ვერტიკალურს; ამასთანავე, ბიბლიურთან ერთად, შესაძლოა, მასში მითოსური, ქრისტიანული თუ საკუთრივ მხატვრული განსახოვნების ნაკადები იგულისხმებოდეს. ნაშრომში, ამგვარ სახეთა კვლევისას, შეძლებისდაგვარად, გახსნილი და განმარტებულია მათი სიმბოლური მნიშვნელობები და საკითხთან დაკავშირებული სხვადასხვა სავარაუდო მოსაზრება და მსჯელობაა წარმოდგენილი. თხზულებათა განხილვა კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ „ნათლის სვეტის“ სიმბოლო ქართული მწერლობის მუდმივად თანამდევი ფემომენია და იგი მრავალგვარი წაკითხვის შესაძლებლობას ქმნის.

ვლადიმერ მინაშვილი:

1. მოხსენებაში წარმოჩენილი იყო აკაკის ცხოვრების ძირითადი ეტაპები, მისი ღვაწლი ქართული მწერლობის და თეატრის წინაშე.

2. მოხსენებაში დახასიათებული იყო აკაკის “სამი ლექციის...” ძირითადი მიზანდასახულება, ილიას კრიტიკული წერილის შინაარსი, აკაკის პასუხის ძირითადი პათოსი. საგანგებოდ იყო ხაზგასმული ილიას და აკაკის პოლემიკის მნიშვნელობა “ვეხისტყაოსნის,” კერძოდ და საზოგადოდ ეროვნულითვალსაზრისით.

3. მოხსენებაში ნაჩვენებია პ. ინგოროყვას ღვაწლი აკაკის შემოქმედების კვლევის საქმეში.

4. მოხსენებაში საგანგებოდ იყო ხაზგასმული ნ. ბარათაშვილის ლექსის “საფლავი მეფის ირაკლისა” პ. ინგოროყვასეული ანალიზის მნიშვნელობა, წარმოდგენილი იყო პოემა “ბედი ქართლისას” პ. ინგოროყვასეული ანალიზის კრიტიკა. მოხსენებაში გამეორებული იქნა ის დებულებები გაღრმავებული სახით, რაც თავის დროზე მოხსენდა თსუ–სი გამართულ საერთაშორისო კონფერენციას

ეკა ვარდოშვილი:

1. ქრისტიანული კულტურა და აკაკი წერეთლის პოეტური ქმნილებები – ქრისტიანული სახისმეტყველებითი პარადიგმები არაერთგზის აისახა აკაკი წერეთლის პოეტურ ქმნილებებში. ქრისტიანულ კულტურასა და ტრადიციებზე დაყრდნობით პოეტი ცდილობდა ჩამოეყალიბებინა ის ზნეობირივი იდეალი, რომელიც ეროვნული თვითშეგნების აჯმაღლებას შეუწყობდა ხელს.

2. ლიტერატურული ტრადიცია - იოჰან ვოლფგანგ გოეთე და აკაკი წერეთელი – გამოჩენილ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მიერ მემუარული მემკვიდრეობის შექმნა საუკუნეების მანძილზე მსოფლიო ლიტერატურაში ტრადიციად იქცა. გოეთეს „ჩემი ცხოვრება. პოეზია და სინამდვილე“ გახდა აკაკი წერეთლის შთაგონების წყარო, როდესაც იგი „ჩემ თავგადასავალს“ ქმნიდა.

3. გერონტი ქიქოძე ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ- ი. ჭავჭავაძის პიროვნებისა და შემოქმედების შესახებ გ. ქიქოძე თავის წერილებსა და ნარკვევებში გვესაუბრება. მისი თვალთახედვა მწერლის ლიტერატურული

მემკვიდრეობის შესახებ აქტუალური და მნიშნველოვანია დღესაც.

ინგა მილორავა:

1. მოხსენება წარმოადგენს ზღვის მოდელს, რომელიც ქართული ლიტერატურისთვის ნაკლებად დამახასიათებელია, თუმცა საკმაოდ ღრმად დამუშავდა მოდერნისტულ მწერლობაში და თავის თავში მოიცავს და სივრცული მოდელის სახეობრივ სისტემაში გამოხატავს მოდერნისტული აზროვნების ფუნდამენტურ დებუულებებს: სამყარო ზმანებისა და ცხადის მიჯნაზე; სიკვდილი, როგორც ესთეტიური ფენომენი, შეჩერებული დროის საყრდენი და ა. შ. ნაშრომში ასახულია პუშკინის დოკუმენტური მოთხრობის „გზის" ქრონოტოპის ის მონაკვეთი, რომელიც საქართველოს ეხება, აგრეთვე სივრცული მოდელი „ტიფლისი". პუშკინის ნაწარმოების დროისა და სივრცის თავისებურებების ანალიზი ემსახურება უმთავრეს მიკზანს – ნათლად წარმოჩნდეს მოცემული ტრაველოგის ორიენტალისტურ დისკურსი და მისი მცდარი მიმართება საქართველოს მიმართ

თამარ პაიჭაძე:

1. ქალაქი-ლოგოსი, როგორც კულტურული სივრცე მოდერნისტულ ტექსტში

ქალაქის, ცნება ქართულ ლიტერატურულ დისკურსში კარგახანია (XX საუკუნის დამდეგიდან) კონცეპტუალურ აღქმას დაუკავშირდა და გარკვეულწილად მხატვრულ - სიმბოლურ ბინარად ჩამოყალიბდა. ამგვარი დამოკიდებულება განსაკუთრებით გამძაფრდა მას შემდეგ, რაც მხატვრულ ლიტერატურაში შემოქმედის, თუ ლირიკული გმირის ლოგოსამყაროს ცენტრმა ბუნების პირველქმნადობის ხაზგასმიდან, სოფლის პეიზაჟების ესთეტიკური რეკვიზიტიდან, მშვიდი და პანთეისტური გარემოდან - ქალაქის ნაცრისფერ ქუჩებში, ხმაურიან და ქაოსურ გარემოში, ცივ და გულგრილ ატმოსფეროში გადაინაცვლა.

ბუნებრივია, ამ პროცესს ახსნა აქვს, ცენტრალიზაციის ტექნოკრატიის, ეკონომიკური დიფერენციაციის და მიგრაციის პროცესებმა, ქალაქში ადამიანთა კონცენტრაციამ თავისი ქნა. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქალაქი იქცა დინამიურობის, სიახლის სიმბოლოდ და აქედან გამომდინარე შემოქმედის ასპარეზად.ცენტრალიზაციის ეს პროცესი შეუქცევადი აღმოჩნდა, რასაც შემოქმედებით ძალთა მოზიდვა მოყვა. ქალაქის სოციოკულტურული ფუნქცია მთელი მნიშვნელოვნებით წარმოჩნდა. ეს პროცესი მოდერნისტული მომდინარეობების ხელოვნებაში დაფუძნებას დაემთხვა.

2. რომანტიკული ლიტერატურის გავლენისათვის ქართულ სიმბოლისტურ დისკურსზე

ქართული მოდერნისტულ ტენდენციათა არაორდინალურობის სათავე ქართულ კლასიკურ მწერლობაში უნდა ვეძიოთ, კითხვას - ჰყავდათ თუ არა ქართველ მოდერნისტებს ნაციონალურ შემოქმედებით გარემოში წინაპარი, ბუნებრივია პირველყოვლისა რომანტიზმამდე მივყავართ. ...აქ პასუხი არაერთგვაროვანი იყო მაშინაც -ქართველი სიმბოლისტებისაგან, და ასეთივეა დღესაც-სალიტერატურო კრიტიკისაგან. როგორც ცნობილია, კულტუროლოგიურ კვლევებში სიმბოლიზმი „ნეორომანტიზმადაც" მოიხსენება, აქ თამაშობს მისი ისტორიული და დამოკიდებულებრივი მიმართება ევროპული რომანტიკული სკოლების ტრადიციებთან, თუმცა საქართველოში ეს დამოკიდებულება განსხვავებულია: იმდენად რამდენადაც სიმბოლიზმი არსით ქართული მოვლენა არ იყო და ქართულ რომანტიკულ სკოლასთანაც საუკუნოვანი დისტანცია აშორებდა, მათი კავშირი უფრო ისტორიული მეხსიერების დონეზე არსებობდა, ქართველი სიმბოლისტებიც ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებით მსოფლმხედველობაში დასაყრდენს ნაკლებად აცნობიერებდნენ, ამით აიხსნება მათი არაერთგვეროვანი დამოკიდებულება ნიკოლოზ

ბარათაშვილის პოეზიისადმი: მისი მხოლოდ ზოგიერთი ლექსი მიიღეს, ხოლო ზოგადად ქართული რომანტიზმის წარმომადგენელთაგან მხოლოდ ბარათაშვილს აღიარებდნენ. თუმცა ინტერკულტურული გავლენანი აშკარაა, ქართველი სიმბოლისტებისათვის მსოფლიო რომანტიკული სკოლების შემოქმედნი და მათი მხატვრული სახე-სიმბოლოები უფრო ახლობელი იყო.

თუკი საქართველოში მოდერნისტული მსოფლაღქმის ლიტერატურულ პრეამბულაზე უნდა მივუთითოთ, უფრო მოკლე ქრონოლოგია ჩანს გასავლელი- სულ ორიოდე ათწლეული, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ბიოგრაფიასთან მისაახლებლად, რადგან მოდერნისტული აზროვნების სილუეტები ამ შემოქმედებით დისკურსებში ცალსახად იკვეთება.

რუსულდან ნიშნიანიძე:

1. მოხსენება ეხება აკაკი ბელიაშვილის უცნობ დოკუმენტურ პროზას, რომელიც არაერთი თვალსაზრისითაა საინტერესო: ხელისუფლების პოზიცია, ქართული ემიგრაცია და თავად მწერლის გაბედულების ხარისხი.

2. მოხსენება ეხება საფრანგეთში, კერძოდ კი, პარიზში გამოცემულ ქართულ პოეტურ კრებულებს.

3. მოხსენებაში განხილულია ამერიკაში მოღვაწე ქართველი ემიგრანტის გ. კობახიძის წერილი, რომელიც საკუთარ მოგონებებსა და შტატებში მის ხელთ არსებულ მასალაზე დაყრდნობით აღწერს აკაკი წერეთლის რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობას.

ქეთევან სიხარულიძე:

1.მოლაშქრე ღვთაებათა თანმხლები ადამიანები

მოხსენებაში განხილულია ოსური მითოლოგიური მოთხრობა „ძნისთვის წასულები“ (Идущие за снопом). ამ მოთხრობის მიხედვით, ღვთაებები ებრძვიან ერთმანეთს ერთი კონა მარცვლეულის ხელში ჩასაგდებად, რაც მოსავლიანობასთან არის დაკავშირებული. ამ ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობენ წმინდა ადამიანები (უფრო სწორედ, მათი სულები) და ეხმარებიან თავიანთ ღვთაებებს გამარჯვების მოპოვებაში.

ოსური მოთხრობის პერსონაჟები გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებენ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მითოლოგიურ პერსონაჟთან გახუა მეგრელაურთან, რომელიც ღვთისშვილებმა წაიყვანეს ქაჯავეთის დალაშქვრისას. ამ პერსონაჟთა შედარება ავლენს კავკასიელთა მითოლოგიურ წარმოდგენებში ორიგინალური შრეების არსებობას. საერთოდ, კავკასიური მითოლოგიის წიაღში შესამჩნევია ადამიანის როლის გააქტიურება ბუნების ძალთა მოქმედებაში, რაც ალბათ შედარებით გვიანდელი მოვლენაა.

2.ილია ხონელის ფოლკლორული პუბლიკაციები გაზეთში „ნოვოე ობოზრენიე“

მოხსენებაში საუბარია ქართველ პუბლიცისტსა და მთარგმნელზე ილია ბახტაძეზე, რომლის ფსევდონიმია „ხონელი“. 1888–1890 წლებში იგი თანამშრომლობდა გაზეთში „ნოვოე ობოზრენიე“. მოხსენებაში საუბარია ილია ხონელის თანამშრომლობაზე წერა–კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან და იმ თავისებურებებზე, რითიც გამოირჩევა მის მიერ თარგმნილი ფოლკლორული ტექსტები.

3.ქართულ–ოსური ფოლკლორული ურთიერთობის საკითხისათვის

მოხსენებაში ვეხებით ოსურ და ქართულ ფოლკლორულ მასალას, რომელშიც ასახულია

მსგავსი წარმოდგენები ოჯახის მფარველ სულზე, ავადმყოფობის ღვთაებებზე, მათთან დაკავშირებული მსგავსი წეს–ჩვეულებები და სარიტუალო ტექსტები, აკვნის სიმღერები. განსაკუთრებით საინტერესოა ჯანტემირ შანაევის მიერ ჩაწერილი ტექსტი „ძნისთვის მიმავალნი“, რომლის პერსონაჟები ენათესავებიან აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მითოლოგიურ პერსონაჟს გახუა მეგრელაურს. ამ და სხვა მასალის შედარება მნიშვნელოვანია როგორც საკუთრივ პოეტური სახეების შესწავლის, ისე ოსი და ქართველი ხალხების ფოლკლორული ურთიერთობების წარმოჩენის თვალსაზრისით. ისტორიული გამოცდილების გათვალისწინება კი შეიძლება დაგვეხმაროს თანამედროვე პრობლემების მოგვარებაში.

ელენე გოგიაშვილი :

1.ეთნოგრაფიული ცნობები ამერიკის შესახებ იოანე ბაგრატიონის “ხუმარსწავლაში”

მოხსენებაში მიმოხილულია მე-18-19 სს. ენციკლოპედიებისა და ცნობარების ძირითადი ტენდენციები. ეს გამოცემები ზედმიწევნით ითვალისწინებენ იმ ინტერესებს, რაც საზოგადოებაში არსებობს უცხო ქვეყნების მიმართ და, რაც შეიძლება, ეგზოტიკურად ასახავენ სხვა კულტურებს.
ის, რომ იოანე ბატონიშვილის „ხუმარსწავლაში“ დიდი ნაწილი ეთმობა ამერიკის მოსახლეობის წეს-ჩვეულებების, ისტორიისა და ზოგადად კონტინენტის აღწერას, იმავე პროცესზე მიუთითებს, რაც ევროპაში არსებობს ამ დროს – უცხო ქვეყნებით დაინტერესება და მეცნიერული ცოდნის გაფართოება.

2.ფოლკლორული წყაროები ქართულ-ჩრდილოკავკასიური ურთიერთობების შესახებ “კავკასიის ტომთა და ადგილთა აღწერის მასალათა კრებულში” (1881-1900)

მოხსენება ეხება ქართულ და ჩრდილოკავკასიურ ფოლკლორულ მასალებს, რომლებიც პერიოდულ გამოცემაში - „კავკასიის ტომთა და ადგილთა აღწერის მასალათა კრებულში“ (СМОМПК) დაიბეჭდა 1881-1900 წლებში: ქართულ-დაღესტნური, ქართულ-ყაბარდოული, ქართულ-ოსური ურთიერთობების ამსახველი საგმირო სიმღერები, ისტორიული თქმულებები და ეტიმოლოგიური ლეგენდები.

3.ხალხური თხრობითი ტრადიციის კვლევა აკაკი წერეთლის წერილებში და ცნობიერების ანალიზის მეთოდი თანამედროვე ფოლკლორისტიკაში

ზეპირ თხრობით ჟანრთა სიუჟეტების გავრცელების, სესხებისა და ორიგინალობის საკითხის მეცნიერული შესწავლა ქართულ ფოლკლორისტიკაში აკაკი წერეთლის პუბლიცისტური წერილებიდან იწყება. მოხსენებაში წარმოდგენილია აკაკი წერეთლის წერილები „ზეპირსიტყვაობა“ (1897) და „შენიშვნა“ (1898), რომლებშიც საზღაპრო მოტივთა გავრცელების რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტია განხილული: 1) სხვა ქვეყნის ლიტერატურული და ფოლკლორული ნაწარმოების გავლენა, 2) ეროვნული ლიტერატურის ხალხურ ინტერპრეტაციები და 3) მწერლის მიერ ზეპირსიტყვიერი მასალის დამუშავება.
ლიტერატურული და ზეპირი სიუჟეტების ურთიერთმიმართების პრობლემის, ტრადიციული კულტურის როლისა და მისი ეროვნული იდენტობის აკაკისეული განმარტებები ახლოს დგას ფოლკლორული მასალის კვლევის თანამედროვე მეთოდებთან.

4.ფოლკლორული წყაროები ქართულ-ოსური ურთიერთობების შესახებ რუსულ პერიოდულ კრებულებში (1855-1900)

ქართულ-ოსური ურთიერთობების შესწავლის სფეროში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ფოლკლორული მასალის კვლევა, რაც თავისთავად უამრავ ასპექტს ითვალისწინებს: ზეპირსიტყვიერ ტექსტებში ასახულ ურთიერთობებს ქართველებსა და ოსებს შორის, მსგავსი სიუჟეტების გავრცელების თავისებურებებს ქართულ და ოსურ ფოლკლორში, ისტორიული ამბის ტრანსფორმაციის ფორმებს და სხვა. არანაკლებ საყურადღებოა ფოლკლორის

შესწავლის ისტორია, რომლის სათავეები ცარისტული იმპერიალიზმის ეპოქაში იღებს სათავეს და მკვეთრად იდეოლოგიზებულია. მოხსენების თემაა 1855-1900 წლების რუსულ პერიოდულ კრებულებში გამოქვეყნებული ჩანაწერები და ნარკვევები („Кавказ“, „Сборник сведения о Кавказских горцах“, „Известия Кавказскаго Отдела Императорскаго Русскаго Географическаго Общества“, „Новое обозрение“, „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“).

5.კულტურული კონტაქტების როლი ფოლკლორის ნაციონალურ რეპერტუარში (ქართულ-ოსური სიუჟეტური პარალელები)

თანამედროვე ფოლკლორისტიკაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეთნიკურობის, ინტერეთნიკური ურთიერთობებისა და კულტურული სესხების საკითხებს. ამ პროცესების კვლევაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია ხალხური ზღაპრის შესწავლას. მოხსენება ეხება კავკასიურ ფოლკლორში ფართოდ გავრცელებული ზღაპრის „ღმერთი და სამი ძმა“ ქართულ და ოსურ ვერსიებს.

6.ხალხური ზღაპრის შესწავლის ეთნომუსიკოლოგიური ასპექტები

მოხსენებაში წარმოდგენილია ზღაპრისა და მუსიკის ურთიერთმიმართების რამდენიმე საკითხი ფოლკლორისტის პოზიციიდან. ფოლკლორულ ჟანრთა სტაბილურობის შესწავლისათვის სასურველია გათვალისწინებული იყოს ეთნომუსიკოლოგიური მეთოდებიც. ინტერდისციპლინური კვლევა ტექსტის კულტურულ-ისტორიული შესწავლისათვის ორი ძირითადი მიმართულებით შეიძლება წარიმართოს: ერთი მხრივ, ზღაპარი როგორც წყარო ეთნომუსიკოლოგიური კვლევისთვის და მეორე მხრივ, მუსიკის როლი ზღაპარში როგორც ფოლკლორისტული კვლევის ობიექტი.

ტრისტან მახაური:

1.მოხსენებაში განხილულია ხადას ხეობაში (დუშეთის მუნიციპალიტეტი) სხვადასხვა დროს ექსპედიციებისა თუ ინდივიდუალური მუშაობის დროს ჩაწერილი ფოლკლორული მასალები, გამოყოფილია ძირითადი ჟანრები, ყურადღება გამახვილებულია ამ მასალის მნიშვნელობაზე და პარალელები დაძებნილია საქართველოს სხვა კუთხეთა ფოლკლორულ შემოქმედებაში.

2.მოხსენებაში ყურადღება გამახვილდა იმ ძირითად პრობლემებზე, რასაც დღევანდელი მეცნიერი აწყდება საველე-ეთნოგრაფიული მუშაობის პროცესში. დიდი ადგილი დაეთმო ახალგაზრდა კადრების მომზადებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების შესახებ მსჯელობას.

ხვთისო მამისიმედიშვილი:

1. ნაშრომში განხილულია მელანიას მოთხრობაში გამოყენებული ფოლკლორული სიუჟეტებისა და მოტივების დანიშნულება, მათი მხატვრული სპეციფიკა და ლიტერატურული ღირებულება.

2. ნაშრომი ეხება ოსური საკულტო ტექსტების, კერძოდ, მფარველ ძუართა სადიდებლების ქართული ქრისტიანული ტრადიციიდან წარმომავლობის საკითხს. განხილულია სადიდებლების, როგორც გახალხურებული საღვთისმსახურო ტექსტების კავშირი ქრისტიანულ ტროპართან.

3. ნაშრომში განხილულია მითოლოგიური არქეტიპებისა და ხანგრძლივი დროის მანძილზე ჩამოყალიბებული სტერეოტიპული გამოთქმების მხატვრული ტრანსფორმაცია აკაკი წერეთლის შემოქმედებაში; გამოკვეთილია ის ელემენტები, რომელთა საშუალებითაც მწერალი უზრუნველყოფს კომუნიკაციას წარსულსა და აწმყოს შორის, აძლიერებს მკითხველში ეროვნულ თვითშეგნებასა და მომავლის

რწმენას.

4. ნაშრომი განხილულია საკრალური და საგმირო მოტივები, რომლებიც უკავშირდება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საკულტო ყოფაში დადასტურებულ საყეინო თასსა და ოსურ ნართების ეპოსში წარმოდგენილ თასს – ვაცამონგას. გამოვლინდა მითოლოგიური პარალელიზმები ამ თემაზე შექმნილ ქართულ და ოსურ თქმულებებში.

5. ნაშრომში განხილულია ქართული ქრისტიანული კულტურის როლი ჩერქეზული მითოლოგიური ჟანრის ტექსტებისა და რიტუალების ჩამოყალიბებაზე. როგორც კვლევამ აჩვენა, ჩერქეზული გადმოცემები „ღვთაებებზე“ ყალიბდებოდა სრულიად რეალური მოვლენების არეკვლის შედეგად. მათ საფუძვლად დაედო ქრისტიანული წარმოდგენები, რომლებმაც X-XII საუკუნეებში საქართველოს სამეფო ხელისუფლების მეოხებით ჩერქეზეთის ყველაზე მიუვალ სოფლებამდე მიაღწია.

ნესტან სულავა:

1.პოემა „ანდრია პირველწოდებული“ აკაკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თხზულებაა, რომელიც ადამიანებს, კერძოდ, ქართველებს, რწმენას, იმედს, ღვთის სიყვარულს, ადამიანის სულიერი განახლების იდეას, ღმერთისაკენ სვლის გზას ასწავლის. პოემის წყაროდ ქართულ და უცხოურ ენებზე შემონახული საღვთისმეტყველო, ნიკიტა//დავით პაფლაგონელისა და ეპიფანეს თხზულებები, და ისტორიული თხზულებები, „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ცნობები საქართველოს გაქრისტიანების შესახებ, უნდა მივიჩნიოთ. პოემაში გაცოცხლებულია პირველი საუკუნე, შესაბამისად, წმ. ანდრია პირველწოდებულის საქართველოში მოღვაწეობის პერიოდში ქრისტიანობასა და წარმართობას შორის მიმდინარე დაპირისპირება და ბრძოლა აისახება. პოემაში გადმოცემულ ამბავსა და პერსონაჟთა ქმედებას სიმბოლო და ალეგორია წარმართავს, რაც, საზოგადოდ, აკაკი წერეთლის მთელი პოეტური მემკვიდრეობისათვისაა დამახასიათებელი. პოემაში რამდენიმე სახისმეტყველებითი ასპექტი იკვეთება, რომელთა გაანალიზება ბიბლიურ-ევანგელური ჰიპოდიგმების გააზრებით ხდება შესაძლებელი. ამ მხრივ, ყურადღებას იქცევს პოემის ერთ-ერთი პერსონაჟის, გველის შხამით დაგესლილი უფლისწულის გარდაცვალება და მისი სასწაულებრივი გაცოცხლება, რაც წმ. ანდრია პირველწოდებულს, როგორც მაცხოვრის მოწაფეს, უფლის ძალმოსილების თანამოზიარედ წარმოგვიდგენს. გველის შხამით დაგესლილი უფლისწულის სახით საქართველო ალეგორიულადაა წარმოსახული, რაც მკითხველს XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს რეალურ ცხოვრებას აცნობს და უფლისწულის განკურნებით, მისი გაცოცხლებით იმედს უნერგავს. თავის მხრივ, უფლისწულის გაცოცხლების ეპიზოდი მაცხოვრის მიერ ლაზარეს აღდგინების ევანგელური სახისმეტყველებითაა შთაგონებული. აკაკი წერეთლის „ანდრია პირველწოდებული“ ბიბლიური სახისმეტყველებითაა გამსჭვალული და პოემის პოეტური სამყაროც მას ეფუძნება. მოხსენებაში სწორედ ამ თვალთახედვითაა განხილული აკაკი წერთლის პოემა „ანდრია პირველწოდებული“.

2. საქართველოში მრავალხმიანობა უძველესი მუსიკალური სააზროვნო კატეგორიაა, რის გამოც ქრისტიანობის გავრცელების ადრეულ ეტაპზევე ქართველი კაცის მუსიკალურმა ბუნებამ და სმენამ ვერ იგუა უცხო და ქართველი ერის თვისებებისა თუ ცნობიერებისათვის შეუსაბამო ერთხმიანი გალობა, რადგან ქართული სიმღერა და გალობა, ბერძნულისაგან განსხვავებით, მრავალხმიანია. მან თანდათანობით მრავალხმიანი ეროვნული მუსიკალური სისტემა მიიღო. ამიტომ ქართული საეკლესიო გალობის მრავალხმიანობის, ქართული გალობის კილოების კვლევისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ძველ ქართულ წყაროებში დაცულ, კერძოდ, გიორგი მერჩულის, მიქაელ მოდრეკილის, წმ. გიორგი მთაწმინდელის, იოანე პეტრიწის ცნობებს ქართული გალობის მრავალხმიანობის შესახებ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წმ. გრიგოლ ხანძთელის ჰიმნოგრაფიული მოღვაწეობის შესწავლას, რადგან გიორგი მერჩულის სიტყვებში გრიგოლის მიერ „საწელიწდოჲ იადგარის“ შედგენისა და ჟამისწირვის ქართულად შესრულების შესახებ ჰიმნოგრაფიისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი ინფორმაცია იფარება.

VI საუკუნის დასაწყისში საღვთისმსახურო წიგნები, მათ შორის ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებულები, ქართულ ენაზე უკვე თარგმნილი იყო, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ ბერძნული სამგალობლო მელოდიების ქართულ ნიადაგზე მოდიფიკაციის პროცესი VI-VII საუკუნეებში მაინც უნდა დაწყებულიყო. კანონიზებული სახე კი IX საუკუნეში, წმ. გრიგოლ ხანცთელის მოღვაწეობის დროს მიეღო.

გალობას მატერიალიზებული სახე არ აქვს, იგი თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემა; შესაბამისად, კანონიკური საგალობლების დამახინჯების საშიშროების გამო გალობის მუსიკალურად ჩაწერა გახდა საჭირო. ამიტომ დაიწყო საგალობელთა ნევმირება, რაც ქართული საეკლესიო გალობის მრავალხმიანობამ განაპირობა, რადგან ნევმირებისას ხმის რეგისტრი, ტონალობა მიეთითებოდა. ნევმირების მიზანი საგალობელთა მუსიკალური ბუნების შენარჩუნება-შენახვა და ჩაწერა იყო. ჩვენ ხელთ გვაქვს 978-988 წლებში მიქაელ მოდრეკილის მიერ შედგენილი ნევმირებული იადგარი, რომლის ერთ-ერთ მთავარ წყაროდ წმ. გრიგოლის იადგარია სავარაუდო, რასაც სხვა წინამორბედ იადგართაგან მიქაელის იადგარის განსხვავებულობა გვავარაუდებინებს. მიქაელი კონკრეტულ წყაროებს საერთოდ არ ასახელებს, მათ შორის არც გრიგოლ ხანცთელის იადგარს, მაგრამ თავის ანდერძებსა და მინაწერებში აღნიშნავს, რომ მას ქართულ ენაზე არსებული ყველა საგალობელი შეუკრებია და თავი მოუყრია თავის იადგარში: „საგალობელნი მეხურნი: ბერძულნი და ქართულნი“. ამგვარი მითითება ბერძნულ-ქართული საგალობლების განსხვავებულობას მოწმობს, რაც ბერძნული და ქართული გალობის ხასიათშია; ამას მუსიკალური ნევმური სისტემის სხვადასხვაობაც ადასტურებს.

„თუენზე“, „პარაკლიტონზე“, „მარხვანზე“ წმ. გიორგი მთაწმინდელის მიერ დართული ანდერძ-მინაწერებისა და გიორგი მცირის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში დაცული ცნობების მიხედვით, ქართული გალობის მრავალხმიანობა უდავოა და მისი საწყისი საუკუნეთა მიღმაა საძიებელი. ქართული გალობის მრავალხმიანობის კანონიკურობას ადასტურებს წმ. გიორგი მთაწმინდელის პოლემიკა ანტიოქიის პატრიარქთან, როდესაც მან აღნიშნა ქართული ეკლესიის საუკუნეობრივი დამოუკიდებლობა და სამოციქულო წილხვედრილობა. ამას ასე თამამად ვერ განაცხადებდა, ქართული საეკლესიო გალობის მრავალხმიანობა დიდი ხნის დაკანონებული რომ არ ყოფილიყო.

XII საუკუნეში ქართული გალობის მრავალხმიანობის საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური განზოგადება მოგვცა იოანე პეტრიწმა, რომელმაც ქართულ გალობაში სამი ხმა გამოყო: „მზახრ, ჟირ, ბამ“. იოანე პეტრიწის მუსიკალური ტერმინოლოგია იმას მოწმობს, რომ ყოველი თეორიული დებულება პრაქტიკული საქმიანობის განზოგადების შედეგია. ამიტომ, „მზახრ, ჟირ, ბამის“ ერთება, „შეყოვლება“ (ანუ ყოვლადობა, ყოვლისმომცველობა) ქართულ მუსიკალურ ყოფაში საუკუნეების დამკვიდრებული ჩანს და იგი თეორიულად იოანე პეტრიწმა განაზოგადა.

3. დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“ ჰიმნოგრაფიული ტრადიციის კვალობაზე შექმნილი თხზულებაა და იგი სახისმეტყველებითი ასპექტებით, იდეურ-შინაარსობრივი და სტრუქტურული თვალსაზრისით დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნებსა და წმ. ანდრია კრიტელის „დიდი კანონის“ მსოფლმხედველობრივ და ჰიპოდიგმურ-პარადიგმულ სტრუქტურას უახლოვდება. დავით აღმაშენებლის თხზულების საფუძველი, ისევე როგორც დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნებისა და წმ. ანდრია კრიტელის „დიდი კანონის“ შექმნისა, სინანულის მოტივია, რაც პიროვნების სულიერი ზეაღსვლით სრულდება. სწორედ ესაა მათი გამაერთიანებელი.

ჰიმნოგრაფიის ლირიკული გმირი, ადამიანი, რომელიც უმეტესად წმინდანის სახითაა წარმოდგენილი, უკვე ზეციური მოქალაქეა, იგი ზეციური მოქალაქობის მაძიებელი არ არის, ეს პროცესი გავლილია, ე. ი. საგალობელში წმინდანად ჩამოყალიბების პროცესის შედეგია ასახული. წმ. ანდრია კრიტელის „დიდ კანონსა“ და დავით აღმაშენებლის „გალობანში“ ადამიანის ზოგადი ხატ-სახე ამ კვალსაც მიჰყვება და სიახლესაც გვთავაზობს, რადგან ამ საგალობლებში, დავით წინასწარმეტყველის კვალობაზე, ადამიანი ჰიმნოგრაფიისათვის დამახასიათებელი, მისთვის ჩვეული სახისმეტყველებითაც წარმოიდგინება და კატაფატიკურ-აპოფატიკური ჰიპოდიგმურ-პარადიგმული სტრუქტურით გაიაზრება. წმ. ანდრია კრიტელმა და დავით აღმაშენებელმა სწორედ კატაფატიკურ-აპოფატიკური ჰიპოდიგმურ-პარადიგმული სტრუქტურული სისტემით წარმოადგინეს ადამიანის სულიერი ზეაღსვლა, სწრაფვა ღმერთთან შეერთებისაკენ, რადგან ორივე საგალობელში ადამიანი ურთულეს საფეხურებს გადის სულიერი სისრულის მიღწევამდე; ამ გზაზე მან უნდა დაძლიოს კაცობრიობის

არსებობის მანძილზე მის მიერ ჩადენილი ყველა ის ცოდვა, რომელთა გამო წმ. ანდრია კრიტელი და დავით აღმაშენებელი, როგორც ჰიმნოგრაფები, საკუთარ თავს უცოდვილესად მიიჩნევენ და ღვთის წინაშე უდიდეს პასუხისმგებლობას კისრულობენ. დავით წინასწარმეტყველი საკუთარ ცოდვებზე მსჯელობს, აღიარებს მათ და ინანიებს, ხოლო წმ. ანდრია კრიტელი და დავით აღმაშენებელი საკუთარ ცოდვათა აღიარებასთან და მონანიებასთან ერთად კაცობრიობის ცოდვათა მტვირთველებად წარმოგვიდგებიან. დავით წინასწარმეტყველი, წმ. ანდრია კრიტელი და დავით აღმაშენებელი მსოფლმხედველობრივად თანაბარი სულიერებით მიემართებიან ზესთასოფლისაკენ, რაც ღმერთთან დიალოგით გადმოიცემა, მაგრამ ადამიანის, როგორც ინდივიდის, მისწრაფებით სულიერი ზეაღსვლისაკენ, სრულყოფისაკენ, ზეცათა მოქალაქობის მოპოვებისაკენ განსხვავებული გზით მიდიან. ესაა მათი მემკვიდრეობის განმასხვავებელი ორიენტირები.

4. არეოპაგიტული მოძღვრების ერთ-ერთი უდიდესი სიბრძნე, რომელიც ღვთაებრივიცაა და საერო ლიტერატურულ-ფილოსოფიურ ტრადიციებში არსებულიც, რწმენისა და გონების ერთიანობას გვისახავს, რის საფუძველზეც, საზოგადოდ, სიბრძნის ესთეტიურობა ვლინდება. სიკეთის მარადიულობისა და ბოროტების დროებითობის ამსახველი არეოპაგიტული სიბრძნე პოემაში გმირთა გამარჯვებითაა რეალიზებული. მოქმედებათა განვითარებას გმირთა ხასიათები, გარემოებათა დაპირისპირებები წარმართავს და განსაზღვრავს, რაც წრიული კომპოზიციური ელემენტებითაა წარმოდგენილი და კონცეპტუალურ არსს იძენს. ის, რაც თინათინმა პოემის დასაწყისში „ბრძენი დივნოსის“ სიტყვის კვალობაზე გვითხრა, უფრო სწორად, კითხვა დასვა, – „ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა?“ ავთანდილმა საქმით აღასრულა და იგივე აზრი, იგივე სიბრძნე ქაჯეთის ციხის დამხობის შემდეგ არეოპაგიტულად გამოთქვა: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“. ეს აზრი რუსთველის მიერ პოემაში არაერთგზისაა მოწოდებული („თქვეს: ბოროტსა უმყოფოო, კეთილია შენი გრძელი“; „ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს, ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს....“); თინათინისა და ავთანდილის მიერ გამოთქმულმა არეოპაგიტულმა სიბრძნემ პოემაში კომპოზიციური ღერძის შემკვრელის მხატვრული ფუნქციაც იკისრა.

5. წმ. მარიამ მაგდალინელის ხატ-სახის გააზრების შესწავლის შედეგები: წმ. მარიამ მაგდალინელის პიროვნების მიმართ მართლმადიდებლურ და კათოლიკურ ეკლესიებში დიდი ხნის მანძილზე სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება არსებობდა, კერძოდ, მართლმადიდებლობა მას ყოველთვის მოციქულთა სწორ წმინდა მენელსაცხებლე დედად აღიარებდა და აღიარებს; კათოლიკური სამყარო 1969 წლამდე მას მრუშ, მონანიე დედაკაცად მიიჩნევდა.
ევანგელური მონათხრობით, წმ. მარიამ მაგდალინელი არაა მრუში დედაკაცი. კათოლიკური ეკლესიის ტრადიციით კი, მას დიდი ხნის მანძილზე აიგივებდნენ უსახელო მონანიე ცოდვილთან, ერთ უსახელო ქალთან და მარიამთან, ლაზარესა და მართას დასთან. ამას ერთვოდა მრავალი ლეგენდაც. მოგვიანებით, მაგდალინელის ცხოვრებას დაემატა ზოგიერთი სიუჟეტი მონანიე ცოდვილის – მარიამ მეგვიპტელის (V ს.) – ცხოვრებიდან, რამაც მაგდალინელის მეძავ ქალად წარმოდგენას კიდევ უფრო მეტად გაუმყარა საფუძველი. მარიამ მაგდალინელის სახის სწორი ინტერპრეტაცია მოითხოვს მეტი ყურადღების მიქცევას წყაროებისათვის, რომლებიც საკმაოდ მოიძებნება ქართულ და უცხო ენებზე.
ევანგელურ თხრობაში იესოს მირონცხების ეპიზოდში მონაწილე სხვადასხვა ქალის (ლუკას მიხედვით, ცოდვილი ქალი, იოანეს მიხედვით – მარიამი ბეთანიიდან) გაიგივება მაგდალინელთან საბოლოოდ რომის პაპის, წმ. გრიგოლ დიდის, „შემოდგომის ქადაგებაში“ აისახა 591 წელს, ხოლო სახარებებში მარიამ მაგდალინელისა და მარიამ ბეთანიელის აღუნიშნავი ცოდვა განიმარტა როგორც მრუშება. მისი ამგვარი ინტერპრეტაცია აღორძინების ხანისა და მომდევნო პერიოდის მხატვრობაშიც დამკვიდრდა.

კათოლიკურმა ეკლესიამ XX ს-ში სცადა, გაესწორებინა აღნიშნული შეცდომა და 1969 წლის რეფორმის შემდეგ ოვუს რდო-ს კალენდარში წმ. მარიამ მაგდალინელი უკვე აღარაა წარმოდგენილი „მონანიედ“. მიუხედავად ამისა, ხალხის ცნობიერებაში საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებული ტრადიციული შეხედულება (მაგდალინელი – მონანიე მრუში ქალი), რომელიც ხელოვნების მრავალი ნაწარმოების ზეგავლენითაც იყო განმტკიცებული, ძირითადად, უცვლელი დარჩა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და ქართული

ქრისტიანული კულტურა ამ საკითხში ოდითგანვე მიჰყვება მართლმადიდებელი ეკლესიის წეს-კანონებსა და ტრადიციებს, რასაც მოწმობს ქართულ ორიგინალურ და ნათარგმნ ეგზეგეტიკურ თხზულებებში, ქადაგებებსა და საგალობლებში მარიამ მაგდალინელის სახელის ევანგელური მონათხრობის მიხედვით წარმოდგენა-განსახოვნება, რაც, კათოლიკეთა შეხედულების საპირისპიროდ, სრულიად დაცლილია ამორალობისაგან და მისი პიროვნება სახარების არც ერთ სხვა ქალთან არაა გაიგივებული. წმ. მარიამ მაგდალინელის ხატ-სახე, სხვა წმიდა მენელსაცხებლე დედათა შორის, წარმოჩენილია იოანე მინჩხის, კვირიკე-კურდანაის საგალობლებში, იოანე ბოლნელის, ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებებში, სულხან-საბა ორბელიანის „სამოთხის კარსა“ და ქადაგებებში. წმ. მარიამ მაგდალინელის ხატ-სახე გაცოცხლებულია საერო მწერლობაში, კერძოდ, თეიმურაზ მეორის პოემაში „გაბაასება დღისა და ღამისა“, აკაკი წერეთლის ლექსებში. XX საუკუნის ლიტერატურაში კი განსხვავებული, ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებები გამოვლინდა: შემოქმედთა ნაწილმა იგი ტრადიციულად, მოციქულთა სწორად აღიქვა, ხოლო ნაწილმა კათოლიკური ტრადიცია გაიზიარა და მრუშ, მონანიე დედაკაცად მიიჩნია. არამართლმადიდებლური ცნობიერების მქონე მეცნიერთა საკმაოდ დიდმა ნაწილმა ობიექტურად შეაფასა და წმ. მარიამ მაგდალინელის შესახებ აღნიშნა, რომ იგი არაა მონანიე მრუში დედაკაცი. ამ ფაქტს კათოლიკურ სამყაროში ჯერ კიდევ XVI საუკუნის დამდეგს მიაქცია ყურადღება ჟაკ ლეფევრ დ' ეტაპლმა, მაგრამ მხოლოდ მეოცე საუკუნეში დაიწყო წმ. მარიამ მაგდალინელის ოფიციალურად ხსენება, როგორც მაცხოვრის მოწაფისა, საუკუნეების წინ დამკვიდრებული ტრადიციული მცდარი შეხედულებისაგან განსხვავებით. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ 1969 წლის რეფორმის შედეგად წმინდანის შესახებ VI საუკუნიდან მცდარად დამკვიდრებულ თვალსაზრისს ოფიციალურად აღარც კათოლიკური სამყარო იზიარებს, მაინც გაჭირდა სიმართლის აღიარება და წმ. მარიამ მაგდალინელის იმგვარ წმინდანად დასახვა, რომელიც არასოდეს ყოფილა მონანიე მრუში დედაკაცი, რაც XX საუკუნისა და XXI საუკუნის დამდეგის მართლმადიდებელი ქვეყნების ლიტერატურულ ტენდენციებში გამომჟღავნდა.

ელგუჯა ხინთიბიძე:

1. უკანასკნელი წლების რუსთველოლოგიურმა კვლევებმა გამოავლინა, რომ *ვეფხისტყაოსანი* ლიტერატურულ წყაროდაა გამოყენებული XVII ს-ის დასაწყისის ინგლისურ დრამატურგიაში. ამ პერიოდის რამდენიმე პიესა იყენებს *ვეფხისტყაოსნის* ტარიელისა და ნესტანის სიყვარულის ისტორიას არა მხოლოდ, როგორც ფაბულურ წყაროს, არამედ გადატანილია რამდენიმე მხატვრული სახეც. მაგ. ცნობილი პასაჟი "ნახეს უცხო მოყმე ვინმე", ასევე ტარიელის მედიტაცია იმქვეყნად ნესტანთან შეხვედრის თაობაზე. შესაბამისი ეპიზოდები და მხატვრული სახეები ინგლისურ პიესებში იმსახურებს ინგლისელ ლიტერატურისმცოდნეთა უაღრესად მაღალ შეფასებას.

2. სტატიაში ჩამოყალიბებულია ის ძირითადი არგუმენტები, რომელსაც ემყარება ქართველოლოგიასა და ინგლისურ ლიტერატურათმცოდნეობაში უკანასკნელ ათწლეულებში გამოვლენილი მნიშვნელოვანი სიახლე: შექსპირის და მის თანამედროვე დრამატურგთა მიერ XVII ს-ის პირველ ათწლეულში დაწერილი სამი ინგლისური პიესის ლიტერატურული წყარო არის *ვეფხისტყაოსანი.*

3. ამ მოხსენებაში, რომელიც მიეძღვნა ნიკო მარის დაბადებიდან 150 წლისთავს ყურადღება იქნა გამახვილებული მარის მეცნიერულ მოღვაწეობის მნიშვნელობას ქართული ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებით. კერძოდ, მის თვალსაზრისებს ვეფხისტყაოსნის შესახებ და მარისეულ პუბლიკაციებს: "გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება" აბდულმესიანი, თამარიანი და ბერძნულიდან ქართულად ტარგმნილი რამდენიმე თხზულება.

4. ეს მოხსენება წარდგენილ იქნა ქართველოლოგთა პირველ საერთაშორისო კონგრესზე. მოხსენებაში დასაბუთდა, რომ ქართული მეცნიერების თვალსაზრისი და არგუმენტირება იმის თაობაზე, რომ ქართული ბალავარიანის საფუძველზე ექვთიმე ათონელმა შექმნა ბერძნული თხზულება ვარლაამ და იოასაფის ისტორია აღიარებულ იქნა უკანასკნელი ათწლეულის გერმანისტიკაში.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Maka Elbakidze	Rustaveli's Conception of Love and Medieval Oriental Literature	Comparative Literature and Culture: Starting Points of National Literature and Culture. ბაქო, 2015 წლის 26-28 ნოემბერი
2	ნ.გონჯილაშვილი, თ.შარაბიძე	„ვეფხისტყაოსნის“ შ. ნუცუბიძის რუსული პოეტური თარგმანის ისტორია და სტალინი“, „მაპრიალის“ საერთაშორისო ასოციაციის XIII კონგრესის – „რუსული ენა და ლიტერატურა მსოფლიო კულტურის სივრცეში“ –მასალები (იბეჭდება)	გრანადა, ესპანეთი, 13-20 სექტემბერი
3	Э. Вардошвили	„Размышления о Божественной литургии“ Н. В. Гоголя как сочинение религиозного характера, имеюшее мировое значение	„Руский язык и литература в Пространстве Мировой Културы“, XIII конгрес Международной ассоциации препадавателей русского языка и литературы, МАПРЯЛ. Universidad de Granada, Фонд Русский мир, 13-20 сентября, 2015 год, Гранада. Программа. (Испания)
4	E. Vardoshvili	From Hustory of Georgia-Polish cultural Relations,	Russia and its Neighbours, Warsaw East Conference, University of Warsaw, July 10-13, 2015, Warsaw, Poland, Programme
5	ინგა მილორავა	Хронотор "Дороги" и модель "Тифлиса" в документальрой повести А.С. Пушкина "Путешествие в Арзрум во время похода 1829 года, „გზის” ქრონოტოპი და „ტიფლისის„ მოდელი ა.ს. პუშიკინის დოკუმენტურ მოთხრობაში „მოგზაურობა არზრუმს 1829 წლის ლაშქრობის	XIII კონგრესი _ "რუსული ენა და ლიტერატურა მსოფლიოს კულტურულ სივრცეში", ესპანეტი, ქ. გრანადა, 2015 წლის 13–20 სექტემბერი

		დროს”	
6	თამარ პაიჭაძე	**Cultural-Historic Orientation - Inspiration for The Georgian literature Process** (IJAS)	ჰარვარდი, ბოსტონი ა.შ.შ. 26.05-31.05
7	Elguja Khintibidze	Reinterpretation and Renewal of the Concept of Love from the Middle Ages to the Renaissance”	6-9/06/2015; leeds, Great Britain.
8	კახაბერ ლორია	“THE TRAGEDY OF THE EXCEPTIONAL INDIVIDUAL IN THE WORKS OF HENRIK IBSEN AND VAZHA-PSHAVELA”	International Journal of Arts & Sciences’ (IJAS) International Conference , პარიზი, საფრანგეთი, 13-16 აპრილი, 2015

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

მაკა ელბაქიძე:

1. **Rustaveli’s Conception of Love and Medieval Oriental Literature**

ვეფხისტყაოსნის პროლოგსა და სიუჟეტის განვითარებაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ რუსთველის მიერ ჩამოყალიბებული სიყვარულის კონცეფცია არის ძალზე სპეციფიკური და, იმავდროულად, სრულიად ახლებური გააზრება მიჯნურობისა, რომელსაც არ იცნობს წინარე პერიოდის ქართული მწერლობა. *ვეფხისტყაოსნის* ავტორი უხვად სარგებლობს როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური სამყაროს ტრადიციადქცეული მოტივებითა თუ სახეებით, მაგრამ აფუძნებს რა ყოველივე ამას ეროვნულ-ქართულ ნიადაგზე, ქმნის მიჯნურის საკუთარ, რუსთველისეულ ტიპს, თვითმყოფადსა და განსხვავებულს როგორც აღმოსავლური ეპიკის, ისე ევროპული რაინდული რომანის პერსონაჟთაგან.

ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ ერთი კონვენციონალური მოტივი *ვეფხისტყაოსნისა*, რომელიც სასიყვარულო ტანჯვას უკავშირდება და მოიაზრება, როგორც სენი, ავადმყოფობა.

ცხადია, ამ მოტივის ძირები აღმოსავლურ სამყაროშია საგულვებელი, სადაც მიჯნურის ტანჯვა შესაბამისი შენაკადური მოტივების მეშვეობითაა გადმოცემული: ა) სიშმაგე, გახელება, გაგიჟება; ბ) სისხლის ცრემლების ღვრა; გ) ჩაუქრობელი ცეცხლით (სახმილით) წვა; დ) გულის დალახვრა და დაწყლულება; ე) სიკვდილის ნატვრა; ვ) ველად გაჭრა. თითოეული მათგანი უხვად არის გამოყენებული როგორც აღმოსავლურ სასიყვარულო ლირიკაში, ისე ეპიკაშიც და სამიჯნურო პოეზიის ისეთ ენციკლოპედიურ ნაშრომებშიც კი, როგორიცაა იბნ დაუდ ალ-ისპაჰანის *ვენუსის წიგნი* და იბნ ჰაზმის *მტრედის ყელსაბამი*.

როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური სასიყვარულო პოეზიისათვის დამახასიათებელი კონვენციონალური მოტივები მხოლოდ მზა ფორმულათა სახით გვხვდება რუსთველის *ვეფხისტყაოსანში* და ლიტერატურული გადამუშავების შედეგად განსხვავებული ინტერპრეტაციით წარმოგვიდგება.

რუსთველთან სასიყვარულო ტანჯვა და მიჯნურობით მოგვრილი სიხარული მჭიდროდაა გადაჯაჭვული ერთმანეთთან და გამიჯნულად არაა წარმოდგენილი. აქცენტი აქ გადატანილია არა ტანჯვის სიძლიერესა და კვდომაზე (შდრ. “ტრისტანი და იზოლდა”, “ვისრამიანი”, “ლეილი და მეჯნუნი” და ა.შ), არამედ ამ მტანჯველ ემოციათა დაძლევასა და მათი ფლობის უნარზე, რასაც საბოლოოდ მივყავართ პიროვნების სრულყოფასა და მიწიერი იდეალის წვდომამდე.

ნანა გონჯილაშვილი:

1. მოხსენებაში – შალვა ნუცუბიძის „ვეფხისტყაოსნის“ რუსული პოეტური თარგმანი და სტალინი – შ. ნუცუბიძის წერილისა და ინტერვიუს, შსს არქივში მოძიებული მასალებისა და სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემთა შეჯერების საფუძველზე

სრულადაა წარმოჩენილი პატიმრობაში მყოფი ნუცუბიძის მიერ პოემის თარგმანის შექმნის ისტორია და სტალინის ინტერესი ამ თარგმანის მიმართ. მოხსენებაში გამოკვეთილია სტალინის როლი პოემის აღნიშნული თარგმანის გამოცემაში, კერძოდ, სტალინმა ტექსტი უცვლელად დატოვა, თუმცა გამოცემის გაფორმებაში დიდი სამუშაო ჩაატარა –სათაურის თარგმნა იქნება ეს, სატიტულო გვერდის გაფორმება (შრიფტის ზომის ჩათვლით), ილუსტრაციების შერჩევა და მათი ადგილის განსაზრვრა, თუ თავად თარგმანში საკუთარი ორი ტაეპის ჩართვა. სტალინისათვის, როგორც ირკვევა, პოემის ახალი თარგმანის გამოცემა უაღრესად მნიშვნელოვანი იყო. სტალინს სჭირდებოდა იმის დემონსტრირება, რომ იგი დიდი და სახელოვანი ისტორიის მქონე ერის შვილი იყო. პოემის თარგმნამ საბედისწერო განაჩენისაგან იხსნა შ. ნუცუბიძე.

ეკა ვარდოშვილი:

1. გოგოლის „РазмышленияоБожественнойлитургий“, როგორც მსოფლიო მნიშვნელობის რელიგიური ხასიათის თხზულება– წიგნში ერთმანეთს ორიგინალურად ერწყმის საღვთისმეტყველო და ლიტერატურული მხარეები. იგი წარმოადგენს სასულიერო პროზის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს და მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მსოფლიო რელიგიური აზრის განვითარების ისტორიაში

2. ქართულ-პოლონური კულტურულ ურთიერთობათა ისტორიიდან - დასავლური ლიტერატურული და სააზროვნო ტრადიციები არაერთგზის აისახა მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში. ქართულ-პოლონური ლიტერატურული და კულტურული ურთიერთობები მეტ სიღრმეს მე-19 საუკუნის დასაწყისიდან იძენს და დღემდე გრძელდება.

ინგა მილორავა:

1. ნაშრომში ასახულია პუშკინის დოკუმენტური მოთხრობის „გზის” ქრონოტოპის ის მონაკვეთი, რომელიც საქართველოს ეხება, აგრეთვე სივრცული მოდელი „ტიფლისი”. პუშკინის ნაწარმოების დროისა და სივრცის თავისებურებების ანალიზი ემსახურება უმთავრეს მიკზანს – ნათლად წარმოჩნდეს მოცემული ტრაველოგის ორიენტალისტური დისკურსი და მისი მცდარი მიმართება საქართველოს მიმართ

თამარ პაიჭაძე:

1. კულტურულ--ისტორიული ორიენტაცია – გამოწვევა ლიტერატურული პროცესისათვის

ლიტერატურის ისტორია ჟანრის, მეთოდოლოგიის, პრობლემატიკის და მხატვრული ფორმების მრავალფეროვნებასთან ერთად, კულტურულ- ისტორიული ორიენტაციის ისტორიასაც წარმოადგენს. ეს თეზა განსაკუთრებით მუშაობს კავკასიური კულტურის ისტორიის მაგალითზე. მათ შორისაა ქართული კულტურა და მისი ყველაზე წარმომადგენლობითი ნაწილი-ლიტერატურა.

ისტორიოგრაფიულ და ორიენტალურ კვლევებში აღიარებულია ადრექრიტიანული ფილოსოფიის ცალსახა გავლენა V-IX საუკუნეების ქართულ ლიტერატურულ პროცესზე, ეს კულტუროლოგიური ორიენტაცია ახლო აღმოსავლური კულტურულ-ისტორიული რეგიონის გავლენის შედეგი იყო. შემდგომ ეტაპზე (IX – XI საუკუნეები) აღმოსავლური კულტურული ორიენტაციის რადიუსი უფრო გაფართოვდა. აღმოსავლური კულტურული ტრადიციის ეს გავლენა საკმაოდ დიდხანს, XVIII საუკუნის დასასრულამდე გაგრძელდა. ...და ეს მაშინ, როცა აღმოსავლური კულტურა აღარ იყო კულტურული დომინანტი და გავლენის ამპლიტუდა თვით გეოგრაფიულად აღმოსავლურ გარემოზეც კი შესუსტდა.

XIX საუკუნის დამდეგიდან კი ქართულ კულტურაში შეინიშნება ერთგვარი ორიენტალური ჭრა და კულტურული ველის გადანაცვლების მცდელობა. პირველი „ევროპული სხივი“ ქართულ ლიტერატურაში ევროპულ მეთოდოლოგიას შემოჰყვა,

იგულისხმება რომანტიკული სკოლა, თუმცა ეს ტენდენცია ფრიად იმპულსური და უკვალო აღმოჩნდა ქართული კულტურული შემეცნებისათვის.

ევროპეიზაციის პროცესი ფაქტობრივად XIX საუკუნის სამოციანი წლებიდან აღსდგა, როცა მწერლობაში ახალი ლიტერატურული თაობა გამოჩნდა თუმცა ერთ ეპოქაში მოღვაწეობის მიუხედავად, განსხვავებული იყო არჩევანი არამატერიალური ღირებულებებისკენ; მაგრამ ისტორიული მეხსიერებისათვის ევროპულ ფასეულობებთან ამგვარი მიახლება ორიენტაციის დამკვიდრების საფუძვლად ვერ იქცა.

XX საუკუნის დასაწყისში ქართული კულტურა-ლიტერატურა კვლავ დადგა უმძიმესი რეალობის წინაშე: სახეზე იყო აშკარა შემოქმედებითი კრიზისი, რაც მხატვრულ ღირებულებებთან ფსევდო და იაფფასიანი ლიტერატურის ჩანაცვლებით გამოიხატა. ეს პროცესი მარქსისტულ და ნიცშეანურ მსოფლმხედველობათა მენტალურ-ფილოსოფიური შეჯახების შედეგი იყო.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს კრიზისი იქცა ერთგვარ მოტივაციად და გამოწვევად ახალი შემოქმედებითი ძიებებისა, რომელიც იმ დროისათვის სრულიად ახალგაზრდა მომავალმა ქართველმა მოდერნისტებმა განახორციელეს. აქედან იწყება ევროპეიზაციის გამოკვეთილი და შეუქცევადი პროცესი ქართულ კულტურაში, მოდერნისტულმა ფილოსოფიამ ლიტერატურაში ახალი მხატვრული ფორმები დაამკვიდრა. პოეზიაში ეს იყო საგანთა და მოვლენათა მედიტაციური აღქმა„ ლირიკული გმირის ფსიქოსამყაროს წარმოჩენა, სიმბოლურ-პარადიგმული აღქმის ხელოვნება, ირაციონალური სამყაროს და მასში ადამიანის როლის გაცნობიერება. ამასთან ერთად, ლიტერატურაში გამოჩნდა ახალი პერსონაჟი მოქალაქე, მეამბოხე, არსებული რეალობის მძაფრი აღმქმელი და გამაანალიზებელი -ე.წ. „ახლებური აღქმის“ გმირი.

ელგუჯა ხინთიბიძე: *ვეფხისტყაოსნის* სიყვარულის კონცეფცია შეესაბამება ქრისტიანული ცივილიზაციის გვაინდელი შუასაუკუნეების ეტაპს. იგი თავისი არსით რენესანსულია; ეფუძნება ქრისტიანული მოყვასის სიყვარულის რუსთველისეული ინტერპრეტირების მოდელს და წარმოადგენს შუასაუკუნეებიდან რენესანსულ აზროვნებაზე გარდამავალი ეპოქის მსოფლშეგრძნების პრინციპული მსოფლმხედველობითი თეზის ორიგინალურ ფილოსოფიურ გააზრებას და მხატვრულ ასახვას.

კახაბერ ლორია: ჰენრიკ იბსენი ერთ-ერთი უდიდესი ფიგურაა ლიტერატურის ისტორიაში, მისი პიესები დღესაც ხიბლავს მკითხველს და არ ჩამოდის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის თეატრალური სცენებიდან. ამ ინტერესისერთ-ერთი მთავარი გამაპირობებელი ფაქტორია „გამორჩეული ინდივიდის“როლი დიდი ნორვეგიელი მწერლის შემოქმედებაში. როგორც ცნობილია, ხსენებულ ფენომენს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაშიც. იმავდროულად ვაჟას მემკვიდრეობაც განსხვავებულ კულტურულ და ლიტერატურულ ტენდენციათა გადაკვეთისფონზეა აღმოცენებული და როგორც ქრონოლოგიურად, ისე ესთეტიკურად უკავშირდება მისი თანამედროვე დასავლეთის მწერლობას. ამ კავშირისა და მიმართების გასაანალიზებლად იბსენისა და მისი გამორჩეული ინდივიდის ტრაგედიის წარმოჩენას სათანადო მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	„ქართულის, როგორ უცხო ენის, სწავლების“ პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტი „ქართული დამწერლობისა და მხატვრული ლიტერატურის როლი და ადგილი მსოფლიო კულტურაში“.	ირმა რატიანი	მაკა ელბაქიძე, გაგა ლომიძე, მირანდა ტყეშელაშვილი, მარინე ტურაშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
2	**ურთიერთობათა და კონფლიქტების დარეგულირებისათვის ჰუმანიტარული და კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულების პროექტი VIIIსტუდენტური რეგიონთაშორისი კონფერენცია**	თამარ პაიჭაძე კახაბერ ლორია		თსუ

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

1.პროექტი მიზნად ისახავდა, ერთი მხრივ, ქართული ენითა და კულტურით დაინტერესებული უცხოელი შემსწავლელებისთვის წარმოეჩინა ქართული ლიტერატურის (დამწერლობა, ფოლკლორი, მხატვრული შემოქმედება) სპეციფიკური ბუნება, მეორე მხრივ კი, განესაზღვრა მისი ადგილი და როლი მსოფლიო კულტურულ– ლიტერატურულ სივრცეში.

ამ მიზნით, პროექტის ფარგლებში განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

- ქართული კულტურული ცნობიერების ჩამოყალიბების სათავეებთან;
- ქართული ზეპირსიტყვიერება მსოფლიო მითოლოგიის კონტექსტში;
- ქართული დამწერლობის სათავეებთან;
- ქრისტიანობა და ქართული კულტურა;
- ქართული კულტურის კერები;
- ქართული საერო ლიტერატურის წარმოშობა;
- „ვეფხისტყაოსანი“ და მისი მნიშვნელობა მსოფლიო ლიტერატურისთვის;

- მეფეთა პოეზია;
- ქართული მწერლობა და ევროპული კულტურული ტრადიცია;
- ქართული ბეჭდური წიგნის სათავეებთან;
20	მარინა ჯიქია **/თურქოლოგია/**	ზოგი რამ ალექსანდრე ფოცხიშვილზე. – *ნათელი ხსოვნა. ალექსანდრე ფოცხიშვილის დაბადებიდან 90 წელი.*		თბილისი, გამომცემლობა „სიტყვა"	6გვ.
21	ქეთევან ლორთქიფანიძე **/თურქოლოგია/,** გიორგი ყუფარაძე	პრონომინალურ სისტემათა მსგავსება-განსხვავებები ინგლისურ და თურქულ ენებში.- *აღმოსავლეთმცოდნეობა*	№4	თბილისი, თსუ გამომცემლობა	9 გვ.(გვ.173-181)
22	ნათია ჩანტლაძე **/არმენოლოგია/**	მიქაელ ასურის „ჟამთააღმწერლობის სომეხი მთარგმნელ-რედაქტორების ცნობები საქართველოს შეხაბ". – აღმოსავლეთმცოდნეობა	№4	თბილისი, თსუ გამომცემლობა	6გვ. (298-303)
23	ზ.ალექსიძე დ.ჩიტუნაშვილი **/არმენოლოგია/**	ქართულ-სომხური პალიმფსესტები ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საცავებში: აგათანგელოსის „სომხეთის ისტორიის".- მრავალთავი	№24	ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი	11გვ. (31-41)
24	გოჩა ჯაფარიძე **/აღმოსავლეთის ისტორია/**	ლაზები ეგვიპტის სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე XVIII-XIX ს-ის 20-იან წლებში. –	№4	თბილისი, თსუ გამომცემლობა	9გვ. (350-358)

		აღმოსავლეთმცოდნეობა			
25	გოჩა ჯაფარიძე **/აღმოსავლეთის ისტორია/**	ეგვიპტის მამლუქთა სულტანი კაი'თ ბაი და ქართული სამონასტრო თემი იერუსალიმში. უმანიტარული კვლევები.წელიწდეული	№5	თბილისი, თსუ გამომცემლობა	
26	გოჩა ჯაფარიძე **/აღმოსავლეთის ისტორია/**	ისმაილ ალ-ვაჰბი – ქართული წარმოშობის კალიგრაფი მამლუქთა ეგვიპტეში.- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კრებული		სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი	
27	გოჩა ჯაფარიძე, ნანი გელოვანი **/აღმოსავლეთის ისტორია/**	მუჰამად ბეი კატამიში.- *ჰუმანიტარული კვლევები.წელიწდეული*	№5	თბილისი, თსუ გამომცემლობა	6გვ.
28	გიული ალასანია **/აღმოსავლეთის ისტორია/**	სახელმწიფოს და რელიგიის ურთიერთობა თურქეთის რესპუბლიკაში. – აღმოსავლეთმცოდნეობა	№4	თბილისი, თსუ ამომცემლობა	28გვ. (203-230)
29	გიული ალასანია **/აღმოსავლეთის ისტორია/**	The Relations Between Pre-Islamıc Turks and Georgians From the Third to the Ninth Century. A History of Bizantine-Persian Politics in the Caucasus.- *Caucasus Journal of Social Sciences*	№8	თბილისი, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა	27გვ.
30	ნანი გელოვანი **/აღმოსავლეთის ისტორია/**	ქალის როლი ეგვიპტის მამლუქთა საზოგადოებაში.- *აღმოსავლეთმცოდნეობა*	№4	თბილისი,თსუ ამომცემლობა	23 გვ. (250-272)
31	ნანი გელოვანი **/აღმოსავლეთის ისტორია/**	ქალი და შრომითი მიგრაცია სპარსეთის ყურის არაბულ ქვეყნებში. – *კულტურული დიალოგები, III, იაკობ გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*	№3	თბილისი, გამომცემლობა 'მერიდიანი'	10გვ. (113-122)
32	მარიამ ლორთქიფანიძე, ნანი გელოვანი **/აღმოსავლეთის ისტორია/**	რეცენზია. გოჩა ჯაფარიძე ძიებანი საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში, I ტომი (თბილისი, 2012), 384გვ. – *ჰუმანიტარული კვლევები.*	№4	თბილისი, თსუ გამომცემლობა	7გვ.

		წელიწდეული.			
33	ნანა გელაშვილი **/აღმოსავლეთის ისტორია/**	იაპონიის პოლიტიკური ვითარება X-XIII საუკუნეებში. – *აღმოსავლეთმცოდნეობა*	№4	თბილისი, თსუ გამომცემლობა	9გვ. (241-249)
34	მირიან მახარაძე **/აღმოსავლეთის ისტორია/**	საქართველო-ტრაპიზონის დიპლომატიური ურთიერთობები კომნენოსთა სამეფოს უკანასკნელ წლებში. – *აღმოსავლეთმცოდნეობა*	№4	თბილისი, თსუ გამომცემლობა	9გვ.
35	ირინე ტატიშვილი **/ასირიოლოგია/**	ხეთური სამეფო იდეოლოგიის ზოგიერთი ასპექტი. – *კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული/ CNES*	№16	თბილისი, პროგრამა „ლოგოსი“	42გვ.
36	ნინო სამსონია /ასირიოლოგია/	კასიტური გლიპტიკის ნიმუშები. - *ჰუმანიტარული კვლევები.წელიწდეული*	№5	თბილისი, თსუ გამომცემლობა /იბეჭდება/	10გვ.
37	ვახტანგ ლიჩელი, ნინო სამსონია **/ასირიოლოგია/**	იგოეთის შუამდინარული საბეჭდავების შესახებ.- *აღმოსავლეთმცოდნეობა*	№4	თბილისი, თსუ გამომცემლობა	13გვ. (273-285)
38	ნინო სამსონია **/ასირიოლოგია/**	მიხეილ წერეთლის ცხოვრების გზა.- *აღმოსავლეთმცოდნეობა*	№4	თბილისი, თსუ გამომცემლობა	14გვ. (29-42)
39	მაია დამბაშიძე **/ასირიოლოგია/**	ოძრხე (ისტორიულ-გეოგრაფიული სახელის კოგნიტური ინტერპრეტაციის ცდა). – *ტიპოლოგიური ძიებანი*	№7	თბილისი, 2015	26
40	მაია დამბაშიძე **/ასირიოლოგია**	დამწერლობის წარმოშობა.- *ჩვენი სამყარო*	2015	თბილისი	12
41	მაია დამბაშიძე **/ასირიოლოგია**	ასირიოლოგიის საავეებთან - ვლადიმერ შილეიკო.- *აღმოსავლეთმცოდნეობა*	№4	თბილისი, თსუ გამომცემლობა	5გვ.
ანოტაციები ქართულ ენაზე					

არასალიტერატურო ლექსის შესახებ

1. ნაშრომში განიხილება ერთი, საერთოქართული, ლექსთწყობა, ინვარიანტული, რომელიც რეალიზებულია შემდეგი ვარიანტებით: ერთი მხრივ, ქართული სალიტერატურო ლექსი, მეორე მხრივ, არასალიტერატურო/დიალექტური ლექსი – საერთოქართული ენის მეგრული, ლაზური, სვანური შტოების ლექსი, დიალექტების ლექსი. რასალიტერატურო ლექსისთვის გამოიყოფა 2 ნიშანი: 1) იგი ზეპირმეტყველების /ფოლკლორის საკუთრებაა; 2) მისი ბაზაა არასალიტერატურო ენა. პირველი ნიშანი განაპირობებს იმ ფაქტს, რომ ფოლკლორული ლექსი ნაკლებფორმიანია, ვიდრე სალიტერატურო (პირობითად: სალიტერატურო ლექსი სრული სისტემაა, ფოლკლორული – არასრული). ეორე ნიშანი განაპირობებს იმ სპეციფიკას, რომ არასალიტერატურო

ლექსი ანალიზისას გვიჩვენებს: 1) ამოსავალ სისტემას, რომელიც პრინციპულად ისეთივეა, როგორც საერთოქართული; 2) ადგილობრივი მეტყველების თავისებურებებით განპირობებულ მექანიზმს, რომელიც კორექტირებას უკეთებს ამოსავალ სისტემას.

ბერი გიორგი და მეფე გიორგი

2.ნაშრომში, საქართველოს ისტორიის სისტემად განხილვის ფარგლებში, ფორმულირებულია სისტემის წარმომქმნელი ერთ-ერთი ფაქტორი: „ორი ძლიერი დაპირისპირებული ძალიდან, რომელთაგან ერთ-ერთს მცირე ქვეყანა მოკავშირედ ირჩევს, გადამწყვეტ ეტაპზე, საბოლოო პერსპექტივის პოზიციიდან, უფრო საშიშია მოკავშირე“. მ კონტექსტში განხილულია ერთიანი საქართველოს კვლავ შექმნის ზოგიერთი პრობლემა მე-10-11 ს.-ის სინამდვილიდან; კერძოდ, ახლებურადაა დანახული ორიდიდიმოღვაწე – გიორგი მერჩულე და მეფე გიორგი პირველი.

ნაშრომში მითითებულია, რომ გიორგი მერჩულე ფაქტიურად არის ახალი პოლიტიკური აზროვნების დამწყები იმდროინდელ საქართველოში; სიახლე რამდენსამე პუნქტს მოიცავს: 1)ორიენტაცია ახალ პოლიტიკურ ცნებაზე – ერთიანი საქართველო; 2) მთავარ საშიშროებად დასახვა ბიზანტიისა და მთავარ ამოცანად – არა არაბების, არამედ ბიზანტიასა და მის ინსტიტუტებთან ბრძოლა, რაც ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობასაც მოიცავდა. იორგი მერჩულის ფორმულამ განსაზღვრა, რა არის საქართველო – განსაზღვრა ახალი ერთიანი საქარველო მის შექმნამდე.

ამავე კონტექსტში განხილულია გიორგი პირველისმოღვაწეობა, როგორც გიორგი მერჩულის პოლიტიკური ფორმულის რეალიზება. იორგი პირველმა დროულად შეამჩნია, რომ დაგვიანება არ შეიძლებოდა, საჭირო იყო სუზერენისგან რეალური პოლიტიკური და კულტურულ-იდეოლოგიური გამიჯვნა და გადმწყვეტი დაპირისპირება ბიზანტიასთან, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველო საბოლოოდ გადაიქცეოდა იმპერიის პროვინციად.

საუნივერსიტეტო აღმოსავლეთმცოდნეობის 70 წელი (ქართულად და ინგლისურად)

3.სტატიაში მოკლედ გაანალიზებულია საქართველოში ორიენტალისტური ინტერესების განვითარების, აღმოსავლეთმცოდნეობის, როგორც სამეცნიერო და სასწავლო დისციპლინის, ჩამოყალიბების პროცესი.

მიმოხილულია ქართული და აღმოსავლური ქრისტიანულლიტერატურული ურთიერთობები, ისლამური ტრადიციების კვალი საქართველოში და სხვ.

კონკრეტულადაა განხილული აღმოსავლეთმცოდნეობის განვითრება მე-19 ს-ის ბოლოსა და მე-20 ს-ის დასაწყისში, განსაკუთრებით ვრცლად – თსუ-ს დაარსების შემდეგდროინდელი ისტორია და 1945 წელს უნივერსიტეტში არმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუციურად გაფორმება – აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის შექმნა.

გაანალიზებულია გ. წერეთლის და მის თანამოაზრეთა ღვაწლი, განხილულია მათი აღიარებული, ფუნდამენტური ნაშრომები. დახასიათებულია დღვანდელი ვითარებადა მომავლის პერსპექტივები.

რას ნიშნავს „დიალექტური ლექსიკა“ არაბულში,
What Does „Dialectal Vocabulary“ Mean in Arabic?

4. სალიტერატურო არაბულისა და არაბული დიალექტების ძირითადი ლექსიკური ფონდი საერთოა. მავდროულად, სამეცნიერო და ყოველდღიურ მიმოქცევაში დასტურდება ტერმინი „დიალექტური ლექსიკა“. ოცემული სტატია მიზნად ისახავს, გაარკვიოს, რა ტიპის ლექსიკის კვალიფიცირებაა შესაძლებელი „დიალექტურად“. სტატიაში დიალექტური ლექსიკის ფორმირება გააზრებულია, როგორც პროცესი, რომელიც ყალიბდება/ყალიბდებოდა 1)ენის შიგნით მიმდინარე პროცესების გავლენით, 2) ენის გარედან მომართული პროცესების გავლენით და 3) პირველი და მეორე ფაქტორების მოქმედების შედეგად ჩამოყალიბებული, „ახალი“, რეალობით, რომელიც გარკვეულ,

„ახალ“, წესებს გვთავაზობს. შტატია ასევე ეხება ზოგიერთ ისეთ თანმხლებ თემას, როგორიცაა, მაგალითად, დიალექტების სიტყვათ და ფორმათწარმოების უნარიანობა და სხვ.

არაბული პოსტკოლონიური ლიტერატურა (თავფიკ ალ-ჰაქიმის "ჩიტი აღმოსავლეთიდან", იაჰია ჰაკკის "უმმ ჰაშიმის კანდელი")

5.რამდენადაც პოსტკოლონიური კრიტიკა ლიტერატურისა და თანამედროვე ისტორიის მიმართებებს სწავლობს, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ამ ტიპის ლიტერატურული ნაწარმოებების შესწავლა, სადაც კარგად იკვეთება ლიტერატურის როგორც სოციალური ფაქტორის როლი და მნიშვნელობა კულტურული იდენტობის განსაზღვრის საკითხში.

ბევრი ცნობილი კულტურის მკვლევარი ამტკიცებს, რომ კულტურულ შემოქმედებას, განსაკუთრებით კი ლიტერატურას, გარდაქმნის ძალა აქვს. შესაბამისად, პოლიტიკური და ლიტერატურული პროცესების ურთიერთმიმართების სურათით შესაძლებელია ამ პროცესებზე დაკვირვება – ერთის მხრივ, როგორ აისახება პოლიტიკური პროცესები ლიტერატურაზე და პირუკუ, – ლიტერატურულმა და ზოგადად კულტურულმა პროცესებმა რა ზეგავლენა იქონია საზოგადოებრივი აზრისა და ცნობიერების ჩამოყალიბებაზე.

ბუნებრივია, განზოგადებები ერთი და ორი ლიტერატურული ნაწარმოების საფუძველზე ვერ გაკეთდება, ამ ტიპის კვლევები უნდა მოიცავდეს მთელ კორპუსს საეტაპო ნაწარმოებებისა. მ მწერლობის ლიტერატურული ანალიზი მიზანშეწონილია კულტუროლოგიური კვლევების მონაცემთა კონტექსტში. ღამდენადაც ოქსიდენტალიზაციის პროცესი შეუქცევად ფორმებს იძენს, პოსტკოლონიური კრიტიკის შესწავლის ობიექტად ქცეული ლიტერატურები, რეალურად, მხოლოდ კოლონიური წარსულის კი არა, მომავლის ლიტერატურებია, რამდენადაც ისინი პასუხობენ პოსტმოდერნის მკვლევრის ჩარლზ ნიუმენის მიერ განსაზღვრულ ლიტერატურული შემოქმედების დანიშნულებას – ეს ლიტერატურები თანამედროვე ადამიანის ხელში წარმოადგენენ მეთოდს, რომლის საშუალებით შეიძლება დავიწყებულ იქნას ანტინომიები (წინააღმდეგობები). სარის პროცესი, რომელშიც დაპირისპირებები არ არის მოგვარებული და ტრანსცენდენტურ სივრცეში გადატანილი, მაგრამ ისინი ყოველმხრივ პასუხობენ ერთმანეთს.

ჯალალ ედ-დინ რუმის „არსთა მესნევის“ ერთი ჰიპერბოლის გააზრებისათვის

6. სტატია ეძღვნება ჯალალ ედ-დინ რუმის მთავარი პოემის „მასნავიე მა'მავის“ერთ ადგილს, სადაც ქართველები პოეტური ჰიპერბოლის მეშვეობით არიან ნახსენები. სტატიაში პირველად არის დასმული და შესწავლილი ეს საკითხი.

ჯალალ ედ-დინ რუმის „არსთა მესნევის“ ერთი ჰიპერბოლის გააზრებისათვის

7. განხილულია ქართულში შემოსული შემდეგი ლექსიკური ერთეულები: მორდარი, მურტალი//მურდალი, სინჯვა, ხო//ჰო, რომლებიც მიეკუთვნებიან აღორძინების ხანის ნასესხობებს, როცა მჭიდრო იყო ქართულ-სპარსული ენობრივი ურთიერთობანი.

ზოგიერთი სპარსული ნასესხობის შესახებ ქართულში

8. განხილულია შემდეგი სპარსული სპარსული ლექსიკური ერთეულები: ანუ (არაბ. შპარს.), დათარსვა, დუღილი, გარნა, ქარგვა, რომლებიც მიეკუთვნებიან აღორძინების ხანის ნასესხობებს, ნაჩვენებია მათი ფონეტიკურ-სემანტიკური ცვლილებები.

ვახუშტი კოტეტიშვილი

9. მიმოხილულია ვახუშტი კოტეტიშვილის ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა.

ალექსანდრე გვახარია

10. ნაშრომი ეძღვნება პროფესორ ალექსანდრე (შურა) გვახარიას დაბადების 85 წლისთავს. შაიუბილეო სტატიაში საუბარია ა. ვახარიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, განხილულია მისი ძირითადი სამეცნიერო ნაშრომები: წიგნები, სტატიები,

გამოკვლევები, თარგმანები; სტატიაში საუბარია ალექსანდრე გვახარიაზე, როგორც გამორჩეულ მეცნიერზე, პედაგოგზე, პიროვნებაზე.

ალეგორიული და სიმბოლური სისტემის შესახებ შუა საკუნეების აღმოსავლურ ლიტერატურაში

11. ნაშრომი ეძღვნება ნიზამი განჯელის (1141-1209) პოემის „ლეილი და მაჯნუნი“ განხილვას შუა საუკუნეების აღმოსავლურ ლიტერატურაში მიღებული ალეგორიული და სიმბოლური სისტემის ფონზე. შუა საუკუნეების ადამიანთა დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ, მათი დამოკიდებულება ბედისა და განგების მიმართ ექვემდებარება გარკვეულ ეტიკეტს, ტრადიციებს, ჩვევებს, როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისე ლიტერატურაში. ამ ეტიკეტური ნორმებით არის განპირობებული პოემის ალეგორიული და სიმბოლური სისტემა.

ახალი სპარსულიდან ქართულში შემოსულ კომუნიკაციურ ნასესხობათათვის

12. სპარსულში წარმოდგენილი ლექსიკალიზებული მრავლობითის ფორმები ლექსიკალიზაციის ხარისხის მიხედვით, დაყოფილია სუსტ (არასრულად ლექსიკალიზებულ) და ძლიერ(სრულად ლექსიკალიზებულ) ჯგუფებად.სუსტად ლექსიკალიზებული ჯგუფი აერთიანებს კრებითობის მნიშვნელობის მქონე ფორმებს,რომელთა შინაარსი შეესაბამება არადიფერენცირებულ სიმრავლეს.ძლიერად ლექსიკალიზებულ ჯგუფში მრავლობითის ფორმები სრულად გამხოლობითებულია.ორივე ჯგუფში ლექსიკალიზებული მრავლობითისა და მისი შესაბამისი მხოლობითი ფორმების სემანტიკურ-გრამატიკული მიმართება სხვადასხვაგვარია.რიგ შემთხვევებში ლექსიკალიზებული მრავლობითის შინაარსი და ამოსავალი მხოლობითი ფორმის ერთადერთი ან ერთ-ერთი მნიშვნელობა ერთმანეთს ემთხვევა,რიგ შემთხვევებში კი მრავლობითის ფორმა სემანტიკურად დაშორებულია მხოლობითს,რაც ლექსიკალიზაციის მეტ ინტენსივობაზე მიუთითებს.ძლიერი ლექსიკალიზაციის ზღვრულ ფორმებად განიხილება ის შემთხვევები, როცა გამხოლობითების შედეგი ანთროპონიმიზაცია ან მორფოლოგიური კატეგორიის ცვლაა, კერძოდ, არსებითის გაზედსართავება ან გაზმნიზედება.

მრავლობითის ფორმათა ლექსიკალიზაციისათვის სპარსულში

13. ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, განსახილველი ნასესხობები წარმოდგენილია ორი ჯგუფით – წმინდა სპარსიზმები და სპარსული გზით შემოსული არაბიზმები. იშვიათია ჰიბრიდული ფორმები.უმეტესად, სესხებისას შენარჩუნებულია შესაბამისი სპარსული ფორმის გრამატიკული პოლისემია,როცა ერთი და იგივე სიტყვა დასტურდება როგორც კომუნიკაციურ,ასევე ნომინაციურ ერთეულად. ნასესხობა საკუთრივ ქართულ ნიადაგზეა გრამატიკულად პოლისემიზებული. იკვეთება საანალიზო კომუნიკაციურ ნასესხობათა ლექსიკურ არქივში გადასვლის ტენდენცია, რისი მიზეზიც სპარსულ-ქართულ ზეპირმეტყველებით ურთიერთობათა შეწყვეტაა.

მოჰამად სადეყ თეფლისის ხელნაწერი წიგნი

14. სტატიაში გაანალიზებულია ქართული წარმომავლობის ირანში მოღვაწე პოეტის მოჰამად სადეყ თეფლისის ხელნაწერი კრებული, რომელიც საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება.

ტერენტი გრანელის ენა

15. ტერენტი გრანელის ენაზე დაკვირვებისას წარმოჩნდა ტრადიციული პოეტური ლექსიკის რამდენიმე შინაარსობრივი ველი: მცენარეთა, ფრინველთა და ცხოველთა სახელები, ბუნების მოვლენები, წელიწადის დროები, ძვირფასეულობა, სამკაულები ... რაც მთავარია, ადამიანის გამოვლენა.... განსაკუთრებულია პოეტისეული ფერის კონცეპტუალიზაცია.

რამდენიმე თურქული ნასესხობა ქართულ ანთროპონიმიაში

16. როდესაც გვხვდება ტოპონიმი ადამიანის სახელად, ძნელი დასადგენია, ტოპონიმია ნაანთროპონიმალი, თუ პირიქით, სახელია ნატოპონიმარი. სტატიაში

განხილულია თურქული ტოპონიმები ქართულ ანთროპონიმებში.

Общие тюркские лексемы в грузинском и осетинском языках

17. თურქიზმები ბევრია როგორც ქართულში, ასევე ოსურში. სტატიაში განხილულია მხოლოდ საერთო თურქული ნასესხობები.

რეცენზია - თეონა აფხაზავა, ელისაბედ ბჟალავა, თურქული ენის სახელმძღვანელო.

18. რეცენზირებული ნაშრომი თანამედროვე მეთოდოლოგიის გათვალისწინებით შედგენილი ოთხკომპონენტიანი (სახელმძღვანელო,სამუშაო რვეული, ლექსიკონი და ჩ) და სამ ნაწილად ჩაფიქრებული მრავალი ღირსების მქონე სასწავლო წიგნია.

რეცენზია - მაია ლომია, რუსუდან გერსამია, ხაზთაშორის მორფემული გლოსირება (მეგრული ტექსტების მორფოლოგიური ანალიზი). ნაწილი I, თბილისი, 2012, 168 გვერდი

19. მორფემულ მიმდევრობათა სტრუქტურები ავტორების კვლევის სფეროა. კვალიფიციური ანალიზი სარწმუნოდ ხდის მათ დებულებებს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ წიგნი ახალი სიტყვაა ქართველოლოგიაში.

ზოგი რამ ალექსანდრე ფოცხიშვილზე

20. წერილში წარმოჩენილია ქართული ენისა და ლიტერატურის დაუცხრომელი მკვლევრის, ალექსანდრე ფოცხიშვილის ნაღვაწის ზოგიერთი მომენტი.

პრონომინალურ სისტემათა მსგავსება-განსხვავებები ინგლისურ და თურქულ ენებში

21.სტატიაში ნაჩვენებია ინგლისურ და თურქულ ენებში არსებული ოფიციალური და არაოფიციალური მიმართვის ფორმათა შორის მსგავსება-განსხვავებების ნათელი სურათი.

მიქაელ ასურის „ჟამთააღმწერლობის სომეხი მთარგმნელ-რედაქტორების ცნობები საქართველოს შესახებ“

22.სტატიაში განხილულია მეთორმეტე საუკუნის სირიელი ავტორის, მიქაელ ასურის ცნობილი თხზულების „ჟამთააღმწერლობა“ სომხურად შესრულებული თარგმანის არსებული ორი რედაქციის ურთიერთმიმართების საკითხი, და მათში დაცული ცნობები საქართველოს შესახებ. გამოთქმულია მოსაზრება, რომ თარგმანი შესრულდა არა ორგზის, როგორც ეს მიაჩნიათ სხვა მკვლევარებს, არამედ ერთხელ და მოხდა ამ თარგმანის შემდგომი რედაქტირება-გადაკეთება, უარყოფილია ასევე მიღებული თვალსაზრისი, რომ მთარგმნელი ცნობილი სომეხი ავტორია - ვარდან აღმოსავლელი, მისი „მსოფლიო ისტორიისა“ და მიქაელ ასური „ჟამთააღმწერლობის სომხური თარგმანის ტექსტების შედარების საფუძველზე ნაჩვენებია, რომ საქმე სხვადასხვა ავტორებთან გვაქვს და მათი სახელების დამთხვევა (ორივეს ვარდანი ჰქვია) არ ნიშნავს ერთსა და იმავე პიროვნებას. ასევე განხილულია თარგმანის შემსრულებლის მიერ მოწოდებული ცნობები, სადაც იკვეთება მისი დამოკიდებულება საქართველოსა და ქართველების მიმართ.

ქართულ-სომხური პალიმფსესტები ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საცავებში: აგათანგელოსის „სომხეთის ისტორის“

23. სტატიაში საუბარია ქართულ-სომხურ პალიმფსესტზე, რომლის ქვედა ფენა შეიცავს აგათანგელოსის სომხეთის ისტორიის ერთ-ერთ უძველესს ფრაგმენტს. ხელნაწერის პალეოგრაფიულმა შესწავლამ აჩვენა რომ პალიფსესტი სავარაუდოდ აგათანგელოსის ისტორიის შემცველი უძველესი ხელნაწერი უნდა იყოს, ტექსტის თვალსაზრისით კი ის ხშირად გვაძლევს ტექსტისათვის უცნობ წაკითხვებს.

ლაზები ეგვიპტის სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე XVIII-XIX ს-ის 20-იან წლებში

24. სტატიაში არაბული წყაროების საფუძველზე გამოვლენილია ლაზების არსებობა ეგვიპტის სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე. იმ ეთნიკური ჯგუფებიდან, რომლებიც ოსმალთა ბატონობის ხანაში ეგვიპტის სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდნენ, ნაკლებად, მაგრამ მაინც იყვნენ გამუსლიმებული ლაზებიც. თუ ადრე არა, XVIII ს-დან მაინც, ლაზები იკავებენ ადგილს ეგვიპტეში დისლოცირებულ სამხედრო კორპუსებში.

საამისო ცნობა მოიპოვება სტამბულის პრემიერ-მინისტრის არქივში. 1737-38 წლის იენიჩართა კორპუსის სახელფასო რეესტრში დასახელებულია ერთი ლაზი. ის შეიძლება გავაიგივოთ თურქეთიდან ემიგრირებულ ლაზ იბრაჰიმთან, რომელიც 1739/40 წ. შიდაპოლიტიკური დაპირისპირების მსხვერპლი გახდა.

ეგვიპტის მამლუქთა სულტანი კაი'თ ბაი და ქართული სამონასტრო თემი იერუსალიმში

25. სტატიაში შესწავლილია სამი არაბული დოკუმენტი - კა'ით ბაის სამი ბრძანებულება საპატრიარქოს ბიბლიოთეკიდან, არაბულ ენაზე-თარგმანითურთ. დოკუმენტები შედგენილია იმდროინდელი დიპლომატიკური წესების საფუძველზე.

ისმაილ ალ-ვაჰბი – ქართული წარმოშობის კალიგრაფი მამლუქთა ეგვიპტეში

26. სტატია ეხება გამოჩენილ კალიგრაფს, ისმა'ილ ალ-ვაჰბის, რომელიც XVIII ს-ის 50-70-იან წლებში მოღვაწეობდა ოსმალთა ხანის მამლუქთა ეგვიპტეში. განხილული და გაანალიზებულია არაბული წყაროების ცნობები.

მუჰამად ბეი კატამიში

27.სტატიაში შესწავლილია არაბული წყაროების ცნობები ჩვენთვის ცნობილი პირველი ქართველი მამლუქი ბეის შესახებ, რომელმაც საკუთარი და მნიშვნელოვანი სახლი დააფუძნა ეგვიპტეში. მუჰამადი პატრონის სიცოცხლეშივე გახდა სანჯაკ ბეი. კიტას ბეიმ მისთვის ოსმალეთის სულტნისგან ითხოვა და მიიღო ამირ ალ-ჰაჯის თანამდებობა.

სახელმწიფოს და რელიგიის ურთიერთობა თურქეთის რესპუბლიკაში

28. ნაშრომი ემყარება სხვადასხვა პუბლიკაციას, უკანასკნელ წლებში ჩატარებულ სოციოლოგიურ გამოკითხვებს და გამოკვლევებს. პრობლემა გამოკვლეულია თურქეთის საშინაო და საგარეო ვითარების შესწავლის საფუძველზე. არსებული ვითარების და პუბლიკაციების გათვალისწინებით გაკეთებულია დასკვნა, რომ გარკვეული ტენდენციების და მმართველი პარტიის სოციალური და იდეოლოგიური საყრდენების მიუხედავად არ იკვეთება თურქეთში სეკულარიზმის (ლაიციზმის) პრინციპიდან გადახვევის საფრთხე.

The Relations Between Pre-Islamıc Turks and Georgians From the Third to the Ninth Century. A History of Bizantine-Persian Politics in the Caucasus

29. კვლევა ეფუძნება სხვადასხვა ტიპის (ნარატიული, დოკუმენტური, ეპიგრაფიკული) წყაროებს და სამეცნიერო ლიტერატურას, რის საფუძველზეც ავტორმა შეძლო ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული ზოგიერთი შეხედულების რეინტერპრეტაცია.

ქალის როლი ეგვიპტის მამლუქთა საზოგადოებაში

30. წინამდებარე ნაშრომში შესწავლილია ქალის სტატუსი XVIII საუკუნის მამლუქთა ეგვიპტეში, წარმოჩენილია ქართული წარმოშობის ქალების როლი მამლუქთა ელიტაში. მამლუქთა ოლიგარქია წარმართავდა ეგვიპტის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ამასთან, ქვეყნის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მამლუქთა ბეგების, ქაშიფების (პროვინციების გამგებლები) და მაღალი რანგის სხვა მამლუქების ცოლები, უპირატესად ყოფილი მონები. როგორც მამლუქთა სახლის წევრები (მხევლები და ცოლები), ისინი აგროვებდნენ ქონებას და ჰქონდათ გარკვეული ეკონომიკური დამოუკიდებლობა, სტატუსი და გავლენა საზოგადოებაში. აქსიმალურადაა გათვალისწინებული არაბული წყაროების მონაცემები.

ქალი და შრომითი მიგრაცია სპარსეთის ყურის არაბულ ქვეყნებში

31. ნაშრომში განხილულია ქალთა შრომითი მიგრაციის განმასხვავებელი თავისებურებები ყურის არაბულ ქვეყნებში. ყურადღება გამახვილებულია მიგრაციის ეტაპებზე, მის დადებით და უარყოფით შედეგებზე, საიმიგრაციო პოლიტიკაზე, ქალი შრომითი მიგრანტების ნაკადზე, მიღების პროცედურებზე, ინტეგრაციის პოლიტიკაზე, დასაქმების სფეროებზე, დისკრიმინაციაზე (მიგრანტთა უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლების შეზღუდვა: არასტანდარტული სამუშაო დღე, დაბალი ანაზღაურება, ინდივიდუალური პატრონაჟის /სპონსორობის/ სისტემა – ქაფალა და სხვ.) და შრომით მიგრაციაზე, როგორც კულტურათა შორის კონფლიქტის განმაპირობებელ ფაქტორზე.

ასახელებული საკითხების განხილვა ეფუძნება მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის, ყურის კვლევის ცენტრის სტატისტიკურ წელიწდეულებს, არაბული პრესის მასალებს, ყურის რეგიონში ქალთა შრომითი მიგრაციის პრობლემებთან დაკავშირებული კვლევების შედეგებს.

რეცენზია. გოჩა ჯაფარიძე. ძიებანი საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში,
I ტომი(თბილისი, 2012), 384გვ.

32. ეს არის რეცენზია 2012 წელს გ. ჯაფარიძის მიერ 1973-2009 წლებში გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომების I ტომზე (*ძიებანი საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში*), რომელშიც შევიდა მკვლევრის 31 სტატია. მათი დიდი უმრავლესობა არის არა სტერეოტიპული, არამედ ჩასწორებული და ახალი მასალებით შევსებული გამოცემა. კრებულში წარმოდგენილი სტატიების თემატიკა მოიცავს საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორიის საკითხებს, ისლამის გავრცელებას საქართველოში, გენეალოგიურ, ონომასტიკურ და ტოპონიმიკურ ძიებებს, ქართული დიპლომატიის ისტორიას, ქრონოლოგიას, ქართულ და ისლამურ ნუმიზმატიკასა და მეტროლოგიას, ქართული და უცხოური სამეცნიერო ნაშრომების მიმოხილვებსა და რეცენზიებს. ისინი დაწერილია ქართული და აღმოსავლური, უპირატესად, არაბული (ნარატიული, ეპიგრაფიკული, დოკუმენტური, ნუმიზმატიკური) წყაროების საფუძველზე. გოჩა ჯაფარიძის მიერ მოძიებულია არაერთი ახალი არაბული წყარო საქართველოს ისტორიისთვის და პირველადაა შემოტანილი ქართულ ისტორიოგრაფიაში.

იაპონიის პოლიტიკური ვითარება X-XIII საუკუნეებში

33.X-XIII სს იაპონიის ისტორიის ისტორიის გამორჩეულად მნიშვნელოვან ხანას წარმოადგენს, რამდენადაც ხსენებულ პერიოდში პერმანენტულად მიმდინარე ფეოდალური შიდა ომების შედეგად, ქვეყანაში შეიქმნა მმართველობის ახლებური სისტემა შიოგუნატის სახით (შიოგუნ - იაპონურად ნიშნავს მთავარსარდალს). ამრიგად, XII ს.-ის მიწურულიდან იაპონიაში ორხელისუფლებიანობის ხანა დაიწყო: ერთი მხრივ, საიმპერატორო და მეორე მხრივ - შიოგუნატის ანუ სამხედრო-ფეოდალური მმართველობა. ამასთან, საიმპერატორო უფლებამოსილება თანდათან იკვეცებოდა შიოგუნატის ძალაუფლების გაფართოების პროპორციულად.

საქართველო-ტრაპიზონის დიპლომატიური ურთიერთობები კომნენოსთა სამეფოს უკანასკნელ წლებში

34. 1204 წელს თამარ მეფის უშუალო ძალისხმევით შექმნილ ტრაპიზონის სამეფოს თავისი არსებობის ბოლო წლამდე (1461) მჭიდრო დიპლომატიური ურთიერთობა აკავშირებდა საქართველოს სამეფოსთან. გამოყოფის ღირსია XV საუკუნის მეორე ნახევარი ეს ერთგვარი დრამატული პერიოდია ორივე ქვეყნის ისტორიაში, რადგანაც ამ დროს არსებობას წყვეტს ტრაპიზონის სამეფო, ხოლო საქართველო იშლება სამეფო-სამთავროებად და ფაქტრივად მარტო რჩება მძლავრი მუსლიმური სახელმწიფოების გარემოცვაში. ამ პერიოდის საქართველო-ტრაპიზონის ურთიერთობებიდან სტატიაში განხილული და გაანალიზებულია რამდენიმე საკითხი:

1. მათი ერთობლივი მონაწილეობა ანტიოსმალურ კოალიციაში.
2. საქართველოს სამეფოსა და ტრაპიზონის სამეფოს ურთიერთკავშირები.
3. ტრაპიზონის სამეფოს ურთიერთობა საქართველოს მეფის მოჭინააღმდეგე მთავრებთან.
4. ქართველების მცდელობა ტრაპიზონის იმპერიის გადასარჩენად.

ხეთური სამეფო იდეოლოგიის ზოგიერთი ასპექტი

35.სტატიაში ნაჩვენებია, თუ როგორ იცვლებოდა ხეთების მეფეთა დამოკიდებულება ღვთაებებისადმი ხეთების მთელი ისტორიის მანძილზე, გაანალიზებულია ამ

ცვლილებათა გამომწვევი მიზეზები და მიზნები ცალკეულ მეფეთა „რეფორმატორული“ მოღვაწეობის ფონზე, გამოყოფილია ძირითადი, გარდამტეხი ეტაპები მეფესა და ღვთაებებს შორის ურთიერთობაში.

კასიტური გლიპტიკის ნიმუშები

36.კასიტური ბაბილონის გლიპტიკა პირობითად ოთხ ძირითად სტილად იყოფა. არსებულ მასალაზე დაყრდნობით, მათი ქრონოლოგიური და რეგიონალური გავრცელება რთული განსასაზღვრია. ამ შემთხვევაში, ჩვენთვის საინტერესოა კასიტური საბეჭდავების კონკრეტულად ორი, ე.წ. ადრეული კასიტური და ფსევდო-კასიტური სტილით შესრულებული ნიმუშები, რომლებიც ერთმანეთზეა გადაჯაჭვული და თარიღისა და მნიშვნელობის მიხედვით.

ადრეული კასიტური ნიმუშები თავის მხრივ ჯგუფდება ჩრდ. ნუზის და ცენტრალური ნიპურის ტრადიციების მიხედვით. ამ კლასიფიკაციის საფუძველს საბეჭდავთა ორფიგურიანი დიზაინი გვაძლევს. ჩრდ. ნუზის ჯგუფი ორფიგურიანი დიზაინით, არ უნდა ჩავრთოთ ფსევდო-კასიტურ ნიმუშებში, ხოლო ცენტრალური ნიპურისა კი. განსხვავება ამ ორ ტრადიციას შორის ფიგურათა კომბინაციაში, მათ პოზასა და იკონოგრაფიის სიმბოლოებში ფიქსირდება.

განსხვავება ამ საბეჭდავთა შორის, ჩვეულებრივ მათ მასალაში, იკონოგრაფიასა და შესრულების ტექნიკაში უნდა ვეძებოთ.

იგოეთის (გრაკლიანი გორა) შუამდინარული საბეჭდავების შესახებ

37. იგოეთში, გრაკლიანი გორის არქეოლოგიურ გათხრებზე, აღმოჩნდა შუამდინარული ცილინდრული საბეჭდავი, რომლის იკონოგრაფია გლიპტიკის ხელოვნების ყველაზე ადრეული ეტაპის – ურუქ-ჯემდეთ-ნასრის, ცილინდრული საბეჭდავების იკონოგრაფიის იდენტურია.

იგოეთის კონუსური საბეჭდავი სრულიად ჩამოყალიბებული, ტიპური ნიმუშია პრეისტორიული შუამდინარული –ძვ.წ. IV ათასწლეულის კონუსური საბეჭდავისა, რაც დასტურდება საბეჭდავის ფორმით, მასალითა და იკონოგრაფიით.

შუამდინარულ საბეჭდავებთან ერთად იგოეთში აღმოჩენილია კონუსური საბეჭდავები, რომელიც ადგილობრივი თიხისაგანაა დამზადებული, თუმცა მასზე ამოკვეთილი იკონოგრაფია ასევე ანალოგებს პრეისტორიულ სამხრეთ შუამდინარეთში პოულობს, რაც მომავალი კვლევების საქმეა. შესაბამისად იგოეთის, გრაკლიანი გორის, გათხრების მასალა, კიდევ ერთი ნათელი დასტურია ძველი ახლო აღმოსავლეთისა და კავკასიის კულტურული ურთიერთობებისთვის.

მიხეილ წერეთლის ცხოვრების გზა

38.მიხეილ წერეთელი საქართველოში სოციოლოგიისა და ასირიოლოგიის ფუძემდებელია. მართალია, მან თავისი მოღვაწეობა პოლიტიკით დაიწყო (როგორც ცნობილია, იგი იყო ანარქისტი), მაგრამ შემდეგ, როგორც თვითონ აღნიშნავს, დიდი ივანე ჯავახიშვილის და ექვთიმე თაყაიშვილის რჩევით, პოლიტიკას დროებით განუდგა და ხელი მიჰყო მეცნიერულ მუშაობას. ამ მიზნით მიემართება მ. წერეთელი ევროპისაკენ 1910 წელს.

მიხეილ წერეთელი გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ, იტალიურ და ქართულ ენებზე წერდა და აქვეყნებდა თავის ნაშრომებს ევროპაში. ის აცნობდა მთელ მსოფლიოს ქართველი ერის ისტორიას, მის ენას, მის სიდიადეს. ბედის უკუღმართობით უცხოეთში გადახვეწილი ცნობილი მეცნიერი იქიდან იცავდა ქართული ენის სიწმინდეს.

მიხეილ წერეთლის ანდერძის თანახმად, მისი არქივი ნინო და კალისტრატე სალიებს გადაეცა. მისი წიგნები, რომლებიც უცხო ენებზე ჰქონდა, გაუნაწილეს მის შვილიშვილსა და დიასახლისს, ხოლო საქორწილო ბეჭედი გადაეცა ოთარის ქალიშვილს - ასეთი იყო ბატონი მიხეილის სურვილი.

ოძრხე (ისტორიულ-გეოგრაფიული სახელის კოგნიტური ინტერპრეტაციის ცდა)

39.სტატიაში განხილულია ისტორიული „ოძრხეს“ სახელწოდება და ქართული წერილობით წყაროებით დადასტურებული ერთ-ერთი უძველესი ტოპონიმი ოძრჴე,

მოცემულია ტოპონიმის კოგნიტური ინტერპრეტაცია.
დამწერლობის წარმოშობა 40.სტატიაში განხილულია მსოფლიოს უძველესი დამწერლობის სისტემები, როგორ წარმოიშვა დამწერლობა, მისი განვითარების ეტაპები.
ასირიოლოგიის სათავეებთან – ვლადიმერ შილეიკო 41. სტატიაში მოთხრობილია ერთ-ერთი პირველი ასირიოლოგის – ვლადიმერ შილეიკოსა და მისი სამეცნიერო კვლევების შესახებ, მოცემულია მეცნიერის სრული სამეცნიერო ბიბლიოგრაფია.

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	აპოლონ სილაგაძე, ნინო ეჯიბაძე **/არაბისტიკა/**	Some Set Expressions Rendering a Speaker's Attitude to the Utterance in the Egyptian Dialect. - *Romano-Arabica - "Modalities in Arabic".*	№16	ბუქარესტი (რუმინეთი)	11გვ.
2	აპოლონ სილაგაძე, ნინო ეჯიბაძე **/არაბისტიკა/**	On Arabic (Egyptian) Fiction Created in the Vernacular. –*Proceedings of AIDA (Associa-tion Internationale de Dialectologie Arabe) 11th international Conference.*	№11	ბუქარესტი (რუმინეთი) სტატია იბეჭდება	6გვ.
3	აპოლონ სილაგაძე, ნინო ეჯიბაძე **/არაბისტიკა/**	არაბული ენის სწავლების ზოგიერთი პრობლემა (არაბულად). - *საერთაშორისო კონფერენციის „აღმოსავლურ ენათა როლი კუმინიკაციაში" მასალები*		თუნისი, სფაკსი	5გვ.
4.	აპოლონ სილაგაძე, ნინო ეჯიბაძე **/არაბისტიკა/**	არაბული (ეგვიპტური) დიალექტური ლიტერატურა: კლასიფიკაცია, სპეციფიკა (არაბულად). *საერთაშორისო კონფერენციის „The First International Conference of Arabic Literature" მასალები*		კიევი, უკრაინა (იბეჭდება)	6გვ.
5.	დარეჯან გარდავაძე **/არაბისტიკა/**	კულტურული დიალოგის მოდელები არაბულ პოსტკოლონიურ ლიტერატურაში (თავფიკ ალ-ჰაქიმის "ჩიტი აღმოსავლეთიდან", იაჰია ჰაკკის "უმმ ჰაშიმის კანდელი" მაგალითზე). - *ზეითუნას იორდანული უნივერსიტეტის მეხუთე საერთაშორისო*		ზეითუნას იორდანიის უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	გვ.216-221

		სამეცნიერო კონფერენციის მასალები (წიგნი პირველი) „მულტიკულტურალიზმი ენასა და ლიტერატურაში“			
6.	მარიამ ჩაჩიბაია **/ებრაისტიკა-არამეისტიკა/**	Hebrew-Aramaic Studies at Tbilisi.- Bair-Ilan University proceedings		Bair-Ilan University Dahan Center, Israel	12 გვ.
7.	ნანი გელოვანი **/აღმოსავლეთის ისტორია/**	Gender Equality: The Results of the Arab Spring. - *International Journal of Multidisciplinary Thought (IJMT)*	Volume 5, No 1, (May 2015)	online CD-ROM ISSN: 2156-6992	გვ.7(1-7)

ანოტაციები ქართულ ენაზე

Some Set Expressions Rendering a Speaker’s Attitude to the Utterance in the Egyptian Dialect

1. გამონათქვამის მიმართ მთქმელის დამოკიდებულების გამოხატვის ბევრი ინდივიდუალური საშუალება არსებობს (ინტონაციის, ე.წ. ოდყ ლანგუაგე-ის და ა.შ. სახით).

ამჯერად განხილვის საგანია გამონათქვამის მიმართ მთქმელის დამოკიდებულების გამოხატვის გრამატიკული საშუალებანი, კერძოდ მყარი ფორმები. ანალიზი ჩატარებულია ეგვიპტური დიალექტის ფარგლებში.

ამ კონტექსტში, პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ რამდენიმე სპეციფიკური ზმნა, რომლებიც ცნობილია სალიტ. ენიდან, მაგრამ ეგვიპტურ დიალქტში ისინი ახალი ფუნქციებით არიან აღჭურვილი.

On Arabic (Egyptian) Fiction Created in the Vernacular

2.დიალექტზე შექმნილი ეგვიპტური მხატვრული ლიტერატურა ინტენსიურად იწყებს განვითარებას გასული საუკუნის შუა ხანებიდან. ს ლიტერატურული ტექსტები, ბუნებრივია, კლასიკური არაბული გრაფიკული სისტემის გამოყენებით ფიქსირდება, ხოლო მათი რეპროდუქცია/გაშიფრვა ხდება, როგორც დიალექტური ტექსტისა (ჰეტეროგრაფია). იმის გათვალისწინებით, რომ ეგვიპტური დიალექტური მხატვრული ლიტერატურა დღეს უკვე საბოლოოდ დამკვიდრებული მოვლენაა, შეიძლება რამდენიმე განზოგადებული დებულების ჩამოყალიბება.

<u>სოციოლინგვისტური ასპექტი</u>.) ეგვიპტური დიალექტი, როგორც ჩანს, აღარ არის მხოლოდ ზეპირი კომუნიკაციის საშუალება – იგი ხდება აგრეთვე ლიტერატურის ენა (რესპ. შალიტერატურო ენა/ლიტერატურული მემკვიდრეობის შექმნის საშუალება).) ის, რომ დიალექტი ფიქსირდება ლიტერატურულად, ნიშნავს, რომ იგი განიცდის სტანდარტიზაციას, იღებს სტანდარტული ენობრივი ფორმის სახეს, და, როგორც საერთოეგვიპტური ენა – ლიტერატურული კოინე (დამყარებული ძირითადად კაიროს დიალექტზე) – შედის ოპოზიციაში ყველა დანარჩენ ეგვიპტურ დიალექტთან. შაბოლოოდ, ეგვიპტური დიალექტის ფუნქციების გაფართოება სრულ კონდიციამდე (სასაუბრო ენა და ლიტერატურის ენა) ნიშავს იმას, რომ სოციოლინგვისტურ სურათში მონაწილე ელემენტების ფუნქციები შეიცვლება; მაგალითად, სალიტერატურო არაბული ენა აღარ იქნება ერთადერთი არაბული სამწერლობო ენა.

<u>ლიტერატურათმცოდნეობითი ასპექტი.</u> ეგვიპტეში შექმნილი მხატვრული ლიტერატურა

იყო საერთო არაბული ლიტერატურული სივრცის ერთ-ერთი ფრაგმენტი, რომელიც იმავე ენას ეყრდნობოდა, რასაც ნებისმიერი სხვა არაბული ქვეყნის ლიტერატურა. დღეს, როგორც ჩანს, სიტუაცია იცვლება: უკვე არსებობს საკუთრივ ეგვიპტური არაბული ლიტერატურა, რომელიც აღარ არის საერთოარაბული ლიტერატურის ფრაგმენტი, რადგანაც სარგებლობს არა საერთოარაბული სალიტერატურო ენით, არამედ საკუთარი, ეგვიპტური, არაბულით/დიალექტით; ამ ენაზე (დიალექტზე) სხვაგან, სხვა არაბულ ქვეყნებში ლიტერატურა არ იქმნება და არ შეიქმნება. მავე დროს, დღეს ეგვიპტის ლიტერატურული სურათი ორშემადგენლიანია: სალიტერატურო არაბულზე შექმნილი ლიტერატურის და ეგვიპტურ დიალექტზე შექმნილი ლიტერატურის პარალელური თანაარსებობა. შემდგომი განვითარებისთვის ორი გზა შეიძლება ვივარაუდოთ: ორშემადგენლიანი სურათის შენარჩუნება ან უნიფიცირება ეგვიპტურ დიალექტზე (ეგვიპტურ არაბულზე) შექმნილი ლიტერატურის სასარგებლოდ.

არაბული ენის სწავლების ზოგიერთი პრობლემა (არაბულად)

3.ცნობილია, რომ არაბოფონური სამყაროს სოციოლინგვისტური სურათი რთულია. ამაზე, პრაქტიკულ გამოხატულებაში, მიუთითებს არაბთა სალიტერატურო ენისგან გაუცხოების პრობლემა, რომელიც არ გადაჭრილა სალიტერატურო არაბულის მოდერნიზებული ვარიანტის (მოდერნ სტანდარდ რაბიც) გამოჩენის შემდეგაც.

ვთვლით, რომ რეალობიდან გამომდინარე, უფრო აქტუალურია არა თვით ენის, არამედ ენის სწავლების მოდერნიზება. სალიტერატურო არაბული ენა არაბებს ესწავლებათ, უმეტეს შემთხვევაში, ტრადიციული მეთოდიკით, რომელიც საუკუნეების მანძილზე არ შეცვლილა.

ამ კონტექსტში, უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს არაბული გრამატიკის სწავლების ორი გზა: ადგილობრივი (არაბული) და უცხოური (დასავლური, ევროპული) და ორივეანგარიშგასაწევია. როგორც ჩანს, შესაძლებელია ჩამოყალიბდეს დებულება, რომ არაბულის არაბთათვის სწავლების პროცესში საჭიროა არაბულ და დასავლურ მეთოდიკებს შორის კოორდინირების გზით მოდერნიზებული მეთოდიკის ჩამოყალიბება, რამაც შესაძლოა დადებითი როლი ითამაშოს არაბთაგან სალიტერატურო ენის გაუცხოების პრობლემის მოგვარებაში.

არაბული (ეგვიპტური) დიალექტური ლიტერატურა: კლასიფიკაცია, სპეციფიკა (არაბულად)

4. არაბული დიალექტური ლიტერატურა (ძირითადად - ეგვიპტური, ზოგჯერ - სირიული და ა.შ.) წარმოადგენს ერთ-ერთ საინტერესო მოვლენას, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ შუა საუკუნეებიდან იწყება, მაინც შედარებით ახალ ფენომენად უნდა ჩაითვალოს. ტრადიცულად, დიალექტური მხატვრული ლიტერატურის ქრონოლოგიური კლასიფიცირება ხდება შემდეგნაირად: პირველი ეტაპი - 18-ე საუკუნემდე, და მეორე ეტაპი - 18-საუკუნიდან დღემდე.

ჩვენი აზრით, უფრო კორექტული იქნებოდა ამგვარი კლასიფიცირება: პირველი ეტაპი - მე-20 საუკუნის შუა ხანებამდე, და მეორე ეტაპი - 20-ე საუკუნის შუაცხანებიდან დღემდე, რადგანაც ამგვარ კლასიფიციაში გათვალისწინებულია დიალექტური ლიტერატურის ფუნქციური მხარე და მნიშვნელობა, რომელსაც იგი თამაშობს ლიტერატურულ პროსცესებში.

პირველი ეტაპის სპეციფიკა (მე-20 ს.-ის შუა ხანებამდე):

ა) ნიმუშთა უმნიშვნელობა, როგორც რაოდენობის, ასევე - როლის მიხედვით.

ბ)ჟანრობრივი შეზღუდვა (მდარეხარისხიანი გასართობი იუმორსტულ-სატირული ნაწარმოებები).

გ)ხშირად - დამხმარე ფუნქცია სალიტერატურო ტექსტში გარკვეული ჩანართების სახით.

ახალი ეტაპის სპეციფიკა (მე-20 ს.-ის შუა ხანების შემდგომ):

ა)უკიდურესად მაღალი პროდუქტიულობა (იმდენად დიდი, რომ საკმაოდ რთულდება ბიბლიოგრაფიის შექმნა).

ბ)ყოველნაირი ჟანრობრივი შეზღუდვის მოხსნა.

გ)მნიშვნელოვანი და დამოუკიდებელი როლი ლიტერატურულ პროცესებში.

დღესდღობით ეგვიპტური დიალექტურ ლიტერატურა არის დამოუკიდებელი და ჩამოყალიბებული მოვლენა, რომელიც იწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს სოციოლინგვისტურ და ლიტერატურათმოცდნეობით სფეროებში.

კულტურული დიალოგის მოდელები არაბულ პოსტკოლონიურ ლიტერატურაში (თავფიკ ალ-ჰაქიმის "ჩიტი აღმოსავლეთიდან", იაჰია ჰაკკის "უმმ ჰაშიმის კანდელი" მაგალითზე)

5. სტატია სხვადასხვა აქცენტით აანალიზებს არაბულ პოსტკოლონიურ ლიტერატურას ორი რომანის მაგალითზე, სადაც კულტურათა დიალოგს შემოაქვს კულტურული იდენტობის ე.წ. ჰიბრიდული სივრცე, რომლის არეალში მოქცეული ვერც ერთი ეთნიკური თუ კულტურული იდენტობისა და მენტალობის მატარებელი ინდივიდი ვერ ინარჩუნებს თავის პირველად, საწყის სახეს. ამ დიალოგის სივრცეში მოქცეულნი, ისინი იძენენ ისეთ ახალ ელემენტებს, რაც მათ საწყის იდენტობას აკარგვინებს და სძენს ახალ იდენტობას, უფრო ტევადს, არსობრივი განახლებისთვის მზაობაში მყოფს.

Hebrew-Aramaic Studies at Tbilisi

6. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ებრაული ენის შესწავლა მაშინ დაიწყო, როცა ისრაელის სახელმწიფოებრიობა ჯერ აღდგენილიც არ იყო. ებრაული ენის შესწავლისადმი ინტერესი საქართველოში ორმა გარემოებამ განსაზღვრა: პირველი ეს არის ბიბლიის ორიგინალის ენის ცოდნის აუცილებლობა, გამომდინარე ამ თხზულების მნიშვნელობიდან, რაც მას ენიჭება მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების საქმეში, განსაკუთრებით ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებით. დიდია ბიბლიის როლი ქართული ენისა და ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისითაც, რამდენადაც სწორედ ბიბლიური ტექსტების ძველ ქართულ თარგმანებში აისახა ქართული ენისა და ლიტერატურის განვითარების უძველესი საფეხური. მეორე განმსაზღვრელი გარემოება ჩვენში ებრაული ენის შესწავლისა არის საქართველოს მიწა-წყალზე ებრაელთა დასახლების ხანგრძლივი ისტორია, რის შედეგადაც აქ ებრაული წერილობითი ძეგლებიც გვხვდება. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ბიბლიის ტექსტი, კერძოდ, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება „ლაილაშის ბიბლია“ (X–XI სს.), რომელიც თბილისის ხელნაწერის სახელითაცაა ცნობილი (ებრ. 3). „ლაილაშის ბიბლია“ მასორეთულ ხელნაწერთა შორის ერთ-ერთ საუკეთესოდ არის მიჩნეული. ებრაული ბიბლიის აკადემიური, კრიტიკული გამოცემისას, რაც თანამედროვე ბიბლიოლოგიის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს, თბილისის ხელნაწერი ერთ-ერთი ძირითადი წყაროა.

უაღრესად საინტერესოა ჩვენამდე მოღწეული უძველესი ებრაული ძეგლები, კერძოდ – მცხეთის არქეოლოგიური აღმოჩენების შედეგად ებრაულის და არამეულის მნიშვნელობა ქართულისათვის იმდენად გაიზარდა, რომ შეიძლება ითქვას, ეს ენები საშუალო სპარსულთან ერთად, ძირითად მასალას იძლევიან ჩვ. წ. ა. პირველი საუკუნეების საქართველოს ისტორიის საკითხების კვლევისას.

XVIII–XIX სს. ებრაული ეპიგრაფიკული ძეგლები, აღმოჩენილი საქართველოს სხვადასხვა მხარეში ძალზე მნიშვნელოვანია როგორც ქართველ ებრაელთა ისტორიის შესწავლის, ისე ზოგადად, ებრაული ეპიგრაფიკის თვალთახედვით.

ებრაული ენის მეცნიერული შესწავლა და მასთან დაკავშირებული ქართულ-ებრაული ენობრივი თუ ლიტერატურული ურთიერთობების კვლევა წარმატებით მიმდინარეობს ებრაისტიკა-არამეისტიკის კათედრაზე, რომელიც 1991 წელს გამოეყო სემიტოლოგიის კათედრას და დაარსდა აკად. კონსტანტინე წერეთლის ინიციატივით. მის სახელს უკავშირდება სამეცნიერო შრომები სემიტოლოგიაში, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარა ამ სამეცნიერო დარგის პრობლემათა ფართო კვლევას და ბიძგი მისცა მსოფლიოს ორიენტალისტიკაში მის ინტენსიურ განვითარებას. ებრაული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხებს მიეძღვნა ქართველ ებრაისტთა მრავალი შრომა.

საკუთრივ ებრაელთათვისაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ებრაული ენის გაცოცხლებისა და განვითარების გზები და საშუალებანი. დიდი ყურადღება ეთმობა ლექსიკას. ისრაელში, ებრაული ენის აკადემიაში, იკვლევენ ძველ ებრაულ ლექსიკას, უთავსებენ ახალ

მნიშვნელობებს, ქმნიან ახალ ტერმინებს. სხვათა შორის, ამ მხრივ თავისი როლი შეასრულა ბორის გაპონოვის მიერ ებრაულად თარგმნილმა „ვეფხისტყაოსანმა“. იგი შეიცავს ისეთ ლექსიკურ ერთეულებს, რომელიც ძველ ებრაულში ცნობილი არ იყო. მას შემდეგ, რაც ეს სიტყვები „ვეფხისტყაოსნის“ ებრაულ თარგმანში იქნა ნახმარი, თანამედროვე ებრაულ ლექსიკონებშიც შევიდა.

დღეს ებრაისტიკა-არამეისტიკის კათედრის, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა გრძელდება ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებით, კერძოდ, ჩრდილო-დასავლური სემიტური ენები (ბიბლიისა და თანამედროვე ებრაული, არამეული და სხვ.), ლექსიკოლოგიური და ლექსიკოგრაფიული მიმართულებით.
და ა.შ.

Gender Equality: The Results of the Arab Spring

7. სტატიაში ყურადღება გამახვილებულია იმ საკანონმდებლო ცვლილებებზე, რაც განხორციელდა არაბული გაზაფხულის მონაწილე ქვეყნებში გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით. ყურადღება გამახვილებულია ერთი მხრივ თუნისზე და ეგვიპტეზე, რომელთაც მიიღეს ახალი კონსტიტუციები და მეორე მხრივ, საუდის არაბეთსა და ქუვეითზე, სპარსეთის ყურის კონსერვატიულ მონარქიებზე,

თარგმანები

მონოგრაფია

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მარიამ ნანობაშვილის თარგმანი იტალიურიდან ქართულად	მონოგრაფია – Donato Lanati, La storia del vino (დონატო ლანატი, ღვინის ისტორია);	წიგნი გამოსაცემად მზადდება იოანე ნათლისმცემლის მონასტერში თბილისში (ალავერდის ეპარქიის გამომცემლობა).	
2				
3				

ანოტაციები ქართულ ენაზე

გამოკვლევაში წარმოდგენილია ეკონომიკური ისტორიისა და კულტუროლოგიის სფეროს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა მევენახეობა–მეღვინეობა, მისი განვითარების შედარებითი ისტორია კავკასიაში, სემიტურ სამყაროსა და ევროპაში.

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	პატრიკ უაიტი მხატვრული თარგმანი ინგლისურიდან ნინო დოლიძის/არაბისტიკა	კაკადუები	„ინტელექტი“ თბილისი, 2015	222გვ.

	/			
2	ჯიბრან ხალილ ჯიბრანი, ამინ არ-რეიჰანი /თარგმანი ნინო დოლიძის, დარეჯან გარდავაძის, ნინო სურმავას და იზოლდა გრძელიძის/	მცირე პროზა, ესეისტიკა.	ქართული აკადემიური წიგნი, თბილისი, 2015	230გვ.
3				

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. პატრიკ უაიტი ერთადერთი ავსტრალიელი ნობელიანტი მწერალია. გამომცემლობა „ინტელექტმა“ სერიით „ნობელიანტები“ მისი რამდენიმე მცირე რომანის თარგმანი გამოსცა. კრებულში სახელწოდებით „კაკადუები“ შევიდა შემდეგი ნაწარმოებები: „სავსე კუჭი“, „ღამით შემოპარული“, „კაკადუები“, „სიცილიური მწუხრი“. გარდა ამ თარგმანებისა (ინგლისურიდან) მე მეკუთვნის კრებულის შესავალი წერილი „პირველი ავსტრალიელი ნობალიანტი“.

2. სირიულ-არაბული ლიტერატურული სკოლის წარმომადგენლების ჯიბრან ხალილ ჯიბრანისა (1883-1931) და ამინ არ-რეიჰანის (1876-1940) მოღვაწეობას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს არაბულ კულტურაში. აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მდგარი მწერლების ხედვა, მათი ფასეულობები კარგად ჩანს ამ კრებულში თავმოყრილ თხზულებებში. წიგნი, რომელსაც ახლავს CD (ორიგინალი ტესტების ჩანაწერებით), სახელმძღანელოდაც გამოდგება სტუდენტებისთვის.

წიგნის თარგმანები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ჯალალ ედ-დინ რუმი /თარგმანი გიორგი ლობჟანიძის)	პოემა „არსთა მესნევის“ დასაწყისის თარგმანი, შესავალი წერილი და განმარტებანი.- „აღმოსავლეთმცოდნეობა“,4	თბილისი, თსუ გამომცემლობა	20გვ.
2	ხედვა როკახი და იტაი ბახური /თარგმანი მამუკა ბუცხრიკიძის/	თარგმანი წიგნისა „ხედვა ისრაელიდან“	გამომცემლობა ინტელექტი	
3	თარგმნეს ირინა ტატიშვილმა და ლევან გორდეზიანმა	ანითას ტექსტი. ხეთურიდან თარგმანი და კომენტარები. -*აღმოსავლეთმცოდნეობა,4*	თბილისი, თსუ გამომცემლობა	14გვ.

ანოტაციები

1. ბოლო რამდენიმე წელიწადია ვმუშაობ შუა საუკუნეების უდიდესი სპარსელი მისტიკოსი პოეტის ჯალალ ედ-დინ რუმის მთავარი პოემის „მასნავიე მა'მავის“ (არსთა მესნევის) ქართულ ტარგმანსა და კომენტარებზე, რომელიც კეთდება ჯალალ ედ-დინ რუმის შემოქმედების შემსწავლელი ირანული ფონდის დაკვეთითა და ხელშეწყობით. ეს არის ექვსწიგნიანი პოემა, საიდანაც ჯერჯერობით დასრულებული და გამოსაცემად გამზადებულია 4 წიგნი. კრებულ

„აღმოსავლეთმცოდნეობაში“ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ამ თარგმანის ერთი, მცირე ნაწილია.
2.ებრაელების თვალით დანახული საქართველო და ქართულად ნათარგმნი შთაბეჭდილებები
3. ანითას სახელით შედგენილი ტექსტი უძველესია შემორჩენილ ინდოევროპულ ტექსტთაგან. იგი მოგვითხრობს ძვ.წ. XVII საუკუნეში ქალაქ ქუსარას სამეფო დინასტიის აღმავლობისა და ცენტრალურ ანატოლიაში წარმოებული სამხედრო ოპერაციების შესახებ. „ანითას ტექსტი“ მკვლევართა ყურადღების ცენტრში მისი ენათმეცნიერული და ისტორიული ღირებულებების გამო მოექცა. ჩვენთვის ტექსტი, პირველ რიგში, მასში დაცული რელიგიური ინფორმაციითაა საინტერესო. სავარაუდოდ, აქ შემოინახა მინიშნებები იმ პროცესებზე ხეთების რელიგიაში, რომლებმაც საფუძველი დაუდო ხეთების სამეფოს ოფიციალურ პანთეონს, ხეთების სამეფო იდეოლოგიას. მკითხველს ვთავაზობთ ტექსტის თარგმანს კომენტარებითურთ, სადაცაც ასახულია როგორც ტექსტის შესწავლის დღევანდელი მდგომარეობა, ასევე ჩვენი მრავალწლიანი კვლევის შედეგები.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	აპოლონ სილაგაძე **/არაბისტიკა/**	არასალიტერატურო ლექსის შესახებ	*საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი,* თბილისი, 11-13 ნოემბერი
2	აპოლონ სილაგაძე, **/არაბისტიკა/** ვ. გურული	ბერი გიორგი და მეფე გიორგი	საქართველოს საპატრიაქროს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. *„ქართული უნივერსიტეტის პირველი სამეცნიერო კონფერენცია“.* თბილისი, 21 ოქტომბერი
3	აპოლონ სილაგაძე **/არაბისტიკა/**	მაგტუმგული და თანამედროვე თურქმენეთი	*საერთაშორისო კონფერენცია „კონსტიტუციის დღე და მაგტუმ გული ფარაღის პოეზიის დღე“.* თბილისი, 15 მაისი (ორგანიზატორები: თურქმენეთის საელჩო საქართველოში, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია)
4	ნინო ეჯიბაძე **/არაბისტიკა/**	არაბული და უცხო ელემენტები არაბულ ფოლკლორულ ზღაპრებში	თსუ IX საფაკულტეტო კონფერენცია მიძღვნილი აკად. გ. ჩიტაიას დაბ. 125

			წლისთავისადმი, 17-18 (24-25) ივნისი, თსუ
5	ნინო ეჯიბაძე **/არაბისტიკა/**	რას ნიშნავს “დიალექტური ლექსიკა” არაბულში	თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის – ამჟამად ს/ს ინსტიტუტის – დაარსებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი რეგიონული სამეცნიერო კონფერენცია. 19 დეკემბერი, თსუ
6	დარეჯან გარდავაძე **/არაბისტიკა/**	არაბული პოსტკოლონიური ლიტერატურა (თავფიკ ალ–ჰაქიმის "ჩიტი აღმოსავლეთიდან", იაჰია ჰაკკის "უმმ ჰაშიმის კანდელი")	*მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება",* აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 9-11 ოქტომბერი, 2015
7	ნომადი ბართაია **/ირანისტიკა/**	საიათნოვას ქართული ლესების სპარსული ლექსიკიდან	ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა.
8	ნომადი ბართაია **/ირანისტიკა/**	ქართველები და ირანელები ერთმანეთის წარმოდგენაში აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკის“ მიხედვით.	2015 ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
9	ნომადი ბართაია **/ირანისტიკა/**	ქართულში შემოსული სპარსული ლექსიკიდან	2015 ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
10	ნომადი ბართაია **/ირანისტიკა/**	ზოგიერთი სპარსული ნასესხობის შესახებ ქართულში	2015 ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
11	ნომადი ბართაია **/ირანისტიკა/**	ახალი ეტაპი ქართულ-ირანულ კულტურულ ურთიერთობათა ისტორიაში	2015 თბილისი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
12	ნომადი ბართაია **/ირანისტიკა/**	ქართულ-ქრისტიანულ და სპასულ-მუსლიმურ კულტურათა ორი ურთიერთგადაკვეთა	2015 თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახ. უნივერსიტეტი
13	მარინა ალექსიძე, გიორგი სანიკიძე, ირინა ნაჭყებია **/ირანისტიკა/**	„დიდი თამაში“ და საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში თანამედროვე პოლიტიკური მოვლენების კონტექსტში	2 დეკემბერი, თბილისი, საქართველოს ხალხური და გამოყენებითი მუზეუმი
14	მარინა ალექსიძე **/ირანისტიკა/**	ყაღრი შირაზი იმამყული ხან უნდილაძის ტრიუმფისა და დაცემის შესახებ	თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის – ამჟამად ს/ს ინსტიტუტის – დაარსებიდან

			70 წლისთავისადმი მიძღვნილი რეგიონული სამეცნიერო კონფერენცია. 19 დეკემბერი, თსუ
15	მარინა ალექსიძე **/ირანისტიკა/**	„მოსანანიებელი მისიის“ ვიზიტი საქართველოში	30 სექტემბერი-2 ოქტომბერი, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
16	მანანა კვაჭაძე **/ირანისტიკა/**	ალეგორიული და სიმბოლური სისტემის შესახებ შუა საუკუნეების აღმოსავლურ ლიტერატურაში	2015 წელი, 9-10-11 ოქტომბერი. III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ქ. თელავი.
17	ფატმან ანთაძე-მალაშხია **/ირანისტიკა/**	ახალი სპარსულიდან ქართულში შემოსულ კომუნიკაციურ ნასესხობათათვის	2015 წელი, 9-10-11 ოქტომბერი. III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ქ. თელავი
18	ფატმან ანთაძე-მალაშხია **/ირანისტიკა/**	On the Adaptation of Certain Late Persian Loans in Georgian (Phrasal Verbs)	Sixth International Conference on Iranian Linguistics (ISIL 6).თბილისი,23-26; ჟუნე,2015,პ.10-11.
19	მარინა ჯიქია **/თურქოლოგია/**	Morphonology of the Third Person Singular Possessive Affix in Turkish	19.02. 2015, თსუ
20	მარინა ჯიქია **/თურქოლოგია/**	თურქული ტოპონიმები ქართულ ანთროპონიმიაში	23-24. 04.2015,თსუ
21	მარინა ჯიქია **/თურქოლოგია/**	აღმოსავლური სალექსო ფორმა – ყაზალი – ალექსანდრე აბაშელის ლირიკაში	10-11 ივნისი,შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
22	მარინა ჯიქია **/თურქოლოგია/**	საკუთარ სახელთა ერთი სახეობის თაობაზე	10-11 ივლისი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
23	მარინა ჯიქია **/თურქოლოგია/**	საერთო თურქული ლექსემები ქართულსა და ოსურ ენებში	13-15 ოქტომბერი, თსუ
24	ელისაბედ ბჟალავა, გიული შაბაშვილი **/თურქოლოგია/**	უნახაობის კატეგორიის შეპირისპირებითი ანალიზი ქართულ-თურქული თარგმანების მიხედვით	თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის – ამჟამად ს/ს ინსტიტუტის – დაარსებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი რეგიონული სამეცნიერო კონფერენცია. 19 დეკემბერი, თსუ
25	მარიამ ჩაჩიბაია **/ებრაისტიკა-არამეისტიკა/**	რამდენიმე სირიულ ენოვანი წარწერა უანზჰოუ-დან	შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის პირველი სამეცნიერო კონფერენცია “შორეული აღმოსავლეთი: ისტორია, რელიგია,

			კულტურა”
26	მარიამ ჩაჩიბაია **/ებრაისტიკა-არამეისტიკა/**	აღმოსავლეთის ასურული ეკლესიის ტერმინის “განხორციელება” განმარტებისათვის	თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის – ამჟამად ს/ს ინსტიტუტის – დაარსებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი რეგიონული სამეცნიერო კონფერენცია. 19 დეკემბერი, თსუ
27	ნათია ჩანტლაძე **/არმენოლოგია/**	პეტრე იბერი ძველ სომხურ მწერლობაში	თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის – ამჟამად ს/ს ინსტიტუტის – დაარსებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი რეგიონული სამეცნიერო კონფერენცია. 19 დეკემბერი, თსუ
28	დალი ჩიტუნაშვილი **/არმენოლოგია/**	“წუალებათა შეჩუენებანი“	„ტექსტოლოგიური ძიებანი“. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
29	დალი ჩიტუნაშვილი **/არმენოლოგია/**	„წმინდა ნინო გიორგი მთაწმიდელის სვინაქსარში“	ილია აბულაძისადმი მიძღვნილი მუდმივმოქმედი სემინარი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 25 ნოემბერი, 2015
30	გოჩა ჯაფარიძე **/აღმოსავლეთის ისტორია/**	ქართველები ახლო აღმოსავლეთის სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე (ეგვიპტე XVII-XVIIIსს.)	პირველი დიასპორული პროფესიული ფორუმი-„გაუზიარე გამოცდილება სამშობლოს“. დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; თსუ. 27 მაისი,2015.
31	გოჩა ჯაფარიძე **/აღმოსავლეთის ისტორია/**	ეგვიპტის მამლუქთა სულტანი კაი’თ ბაი და ქართული სამონასტრო თემი იერუსალიმში.	თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის – ამჟამად ს/ს ინსტიტუტის – დაარსებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი რეგიონული სამეცნიერო კონფერენცია. 19 დეკემბერი, თსუ
32	გიული ალასანია **/აღმოსავლეთის ისტორია/**	სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობა თურქეთის რესპუბლიკაში	თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის – ამჟამად ს/ს ინსტიტუტის – დაარსებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი რეგიონული სამეცნიერო კონფერენცია. 19 დეკემბერი, თსუ

33	ნანი გელოვანი **/აღმოსავლეთის ისტორია/**	ქალის სტატუსი ოსმალთა ეგვიპტეში (XVIIIს.)	პირველი დიასპორული პროფესიული ფორუმი- „გაუზიარე გამოცდილება სამშობლოს“. დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; თსუ. 27 მაისი,2015.
34	ნანი გელოვანი **/აღმოსავლეთის ისტორია/**	ქალი და განათლება მამლუქთა პერიოდის სირიაში	თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის – ამჟამად ს/ს ინსტიტუტის – დაარსებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი რეგიონული სამეცნიერო კონფერენცია. 19 დეკემბერი, თსუ
35	ნანა გელაშვილი **/აღმოსავლეთის ისტორია/**	ამერიკის შეერთებული შტატები და იაპონიის 1947 წლის კონსტიტუცია	ამერიკისმცოდნეობის მე-16 ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია მიძღვნ. სამოქალაქო ომის დასრულების 150-ე წლისთავისადმი. თბილისი-თსუ, 14-16 მაისი
36	ნანა გელაშვილი **/აღმოსავლეთის ისტორია/**	ევროპელი მისიონერები იაპონიაში XVIს-ის მეორე ნახევარში	თსუ ჰუმანიტარულ მეცნ. ფაკულტეტის მე-9 სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნ. აკად. გ. ჩიტაიას დაბადებიდან 100 წლისთავისადმი. თბილისი-თსუ, 17-18 ივნისი
37	ნანა გელაშვილი **/აღმოსავლეთის ისტორია/**	On the question of the study of Japan in historical and cultural spectrum, 4th Japanese Education Seminar in Caucasus	თბილისი- The Free University of Tbilisi, November 28-29
38	ნანა გელაშვილი **/აღმოსავლეთის ისტორია/**	თეატრალური ხელოვნება ტოკუგავას ეპოქის იაპონიაში	შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის 1 სამეცნ. კონფერენცია „შორეული აღმოსავლეთი: ისტორია, რელიგია, კულტურა“. თბილისი-თსუ,15-16 ოქტომბერი
39	მირიან მახარაძე **/აღმოსავლეთის ისტორია/**	საქართველო-ტრაპიზონის დიპლომატიური ურთიერთობები კომნენოსთა სამეფოს უკანასკნელ წლებში	თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის – ამჟამად ს/ს ინსტიტუტის – დაარსებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი რეგიონული

			სამეცნიერო კონფერენცია. 19 დეკემბერი, თსუ
40	ირინე ტატიშვილი, **/ასირიოლოგია/** ლევან გორდეზიანი	ხეთური ელემენტები არმაზის კულტში	თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის – ამჟამად ს/ს ინსტიტუტის – დაარსებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი რეგიონული სამეცნიერო კონფერენცია. 19 დეკემბერი, თსუ

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

არასალიტერატურო ლექსის შესახებ

1. მოხსენებაში განიხილება ერთი, საერთოქართული, ლექსთწყობა, ინვარიანტული, რომელიც რეალიზებულია შემდეგი ვარიანტებით: ერთი მხრივ, ქართული სალიტერატურო ლექსი, მეორე მხრივ, არასალიტერატურო/დიალექტური ლექსი – საერთოქართული ენის მეგრული, ლაზური, სვანური შტოების ლექსი, დიალექტების ლექსი.

ბერი გიორგი და მეფე გიორგი

2. მოხსენებაში განხილულია ერთიანი საქართველოს კვლავ შექმნის ზოგიერთი პრობლემა მე-10-11 ს.-ის სინამდვილიდან; კერძოდ, ახლებურადაა დანახული ორი დიდი მოღვაწე – გიორგი მერჩულე და მეფე გიორგი პირველი.

მაგტუმ გული და თანამედროვე თურქმენეთი

3.მოხსენებაში განხილულია მაგტუმ გულის შემოქმედების ზოგიერთი მხარე. ისი პოეზიის წამყვანი მოტივები დააკავშირებულია თანამედროვე თურქმენეთის სინამდვილესთან.

არაბული და უცხო ელემენტები არაბულ ფოლკლორულ ზღაპრებში

4.არაბულ ფოლკლორულ ზღაპრებში იგულისხმება ხალხური ზეპირსიტყვიერების ის პროდუქტი, რომელსაც სტანდარტიზება არ განუცდია (ამ ნიშნით ისინი უნდა გაიმიჯნოს 1001 ღამის ზღაპრებისგან). ულტურული ინტერეფერენცია, რომელიც ენისა და ხალხის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში აისახება, ბუნებრივია, ჩანს ფოლკლორშიც. შედეგად, ხალხურ ზღაპრებში ორი შრე გამოიყოფა: საკუთრივ არაბული წარმოშობისა და უცხო წარმოშობის (ბუნებრივია, გასათვალისწინებელია ე.წ მოარული მოტივებიც).

მოხსენება ეხება იმ ფორმალურ მარკერებს, რომელთა საფუძველზეც შესაძლოა ფაბულისა და სიუჟეტური განვითარების შესწავლის გარეშე, მხოლოდ ამ ფორმალური ინდიკატორების მიხედვით, საკუთრივ არაბული და არაარაბული წარმოშობის ზღაპრების დიფერენცირება.

რას ნიშნავს "დიალექტური ლექსიკა" არაბულში

5. მოხსენებაში დიალექტური ლექსიკის ფორმირება გააზრებულია, როგორც პროცესი, რომელიც ყალიბდება/ყალიბდებოდა 1) ენის შიგნით მიმდინარე პროცესების გავლენით, 2) ენის გარედან მომართული პროცესების გავლენით და 3) პირველი და მეორე ფაქტორების მოქმედების შედეგად ჩამოყალიბებული, „ახალი", რეალობით, რომელიც გარკვეულ, „ახალ", წესებს გვთავაზობს. შტატია ასევე ეხება ზოგიერთ ისეთ თანმხლებ თემას, როგორიცაა, მაგალითად, დიალექტების სიტყვათ და ფორმათწარმოების უნარიანობა და სხვ.

არაბული პოსტკოლონიური ლიტერატურა (თავფიკ ალ–ჰაქიმის "ჩიტი აღმოსავლეთიდან", იაჰია ჰაკკის "უმმ ჰაშიმის კანდელი")

6. მოხსენებაში სხვადასხვა აქცენტით გაანალიზებულია არაბული პოსტკოლონიური ლიტერატურა ორი რომანის მაგალითზე, სადაც კულტურათა დიალოგს შემოაქვს კულტურული იდენტობის ე.წ. ჰიბრიდული სივრცე, რომლის არეალში მოქცეული ვერც ერთი ეთნიკური თუ კულტურული იდენტობისა და მენტალობის მატარებელი ინდივიდი ვერ ინარჩუნებს თავის პირველად, საწყის სახეს. მ დიალოგის სივრცეში მოქცეულნი, ისინი იძენენ ისეთ ახალ ელემენტებს, რაც მათ საწყის იდენტობას აკარგვინებს და სძენს ახალ

იდენტობას, უფრო ტევადს, არსობრივი განახლებისთვის მზაობაში მყოფს.

საიათნოვას ქართული ლესების სპარსული ლექსიკიდან

7. საიათნოვას ქართული ლექსები მდიდარია აღმოსავლური, კერძოდ, სპარსული ლექსიკით, საიათნოვა მოღვაწეობდა მაშინ, როცა მჭიდრო იყო ქარტულ-ირანული ენობრივი ურთიერთობანი, რამაც განაპირობა სპარსულიუ ლექსიკის სიუხვე მის ლექსებში. ნაჩვენებია ის ფონეტიკურ-სემანტიკური ცვლილებები, რაც განიცადეს ნასესხობებმა.

ქართველები და ირანელები ერთმანეთის წარმოდგენაში აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკის“ მიხედვით

8. ქართულ-ირანული ურთიერთობანი საუკუნეთა სიღრმიდან იღებს სათავეს. თრადიციულად ირანელები ქართველებს თავიანთ მონათესავე ხალხად მიიჩნევენ, რაც ნაწარმოებიდან ჩანს.

ქართულში შემოსული სპარსული ლექსიკიდან

9. განხილულია ქართულში შემოსული შემდეგი სპარსული ლექსიკური ერთეულები: მორდარი, მურტალი//მურდალი, სინჯვა, ხო//ჰო, რომლებიც მიეკუთვნებიან არორძინების ხანის სპარსულ ნასესხობებს.

ზოგიერთი სპარსული ნასესხობის შესახებ ქართულში

10. განხილულია შემდეგი სპარსული ნასესხობანი: ანუ (არაბ. შპარს.), დათარსვა, დუღილი, გარნა, ქარგვა.

ახალი ეტაპი ქართულ-ირანულ კულტურულ ურთიერთობათა ისტორიაში

11. მას მერე, რაც საქართველომ აღიდგინა სახელმწიფოებრიობა, ირან-საქართველოს შორის დამყარდა უპრეცედენტო თანაბარუფლებიანი კავშირი, რაზედაც საუბარია მოხსენებაში.

ქართულ-ქრისტიანულ და სპასულ-მუსლიმურ კულტურათა ორი ურთიერთგადაკვეთა

12.განხილულია ქართულ-ქრისტიანულ და სპასულ-მუსლიმურ კულტურათა ურთიერთგადაკვეთებზე

„დიდი თამაში“ და საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში თანამედროვე პოლიტიკური მოვლენების კონტექსტში

13. მოხსენება შეხება XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთისა და ინგლისის ბრძოლას კავკასიაში ძალაუფლების მოპოვებისათვის და საქართველოს ადგილს ამ ბრძოლაში

ყადრი შირაზი იმამყული ხან უნდილაძის ტრიუმფისა და დაცემის შესახებ

14. მოხსენება შეეხება XVII საუკუნის ირანელი ავტორის ყადრი შირაზის პოემა „ჯარუნ-ნამეს“ და პოემის 253 ბეითიან დანართს „ამბავი იმამყული ხანისა და მისი ვაჟების დახოცვისა“. წყარო გვაწვდის ძალიან საინტერესო და სანდო ცნობებს ჰორმუზში იმამყული ხანის ტრიუმფალური გამარჯვებისა და უნდილაძეების საგვარეულოში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ, რადგან მისი ავტორი, როგორც უნდილაძეების ოჯახის ახლობელი, ამ მოვლენების თვითმხილველი ყოფილა.

„მოსანანიებელი მისიის“ ვიზიტი საქართველოში

15. მოხსენება შეეხება ყაჯარი უფლისწულის ხოსროვ მირზას „მოსანანიებელი მისიის“ ერთთვიან ვიზიტს საქართველოში 1829 წელს. ჩნობებს ამ ვიზიტის შესახებ გვაწვდის როგორც იმდროინდელი ქართული პრესა, ისე მისიის მონაწილე ირანელი ავტორის „მოგზაურობის წიგნი“.

ალეგორიული და სიმბოლური სისტემის შესახებ შუა საუკუნეების აღმოსავლურ ლიტერატურაში

16. მოხსენება ეძღვნება ნიზამი განჯელის (1141-1209) პოემის „ლეილი და მაჯნუნი“ განხილვას შუა საუკუნეების აღმოსავლურ ლიტერატურაში მიღებული ალეგორიული და სიმბოლური სისტემის ფონზე. შუა საუკუნეების ადამიანთა დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ, მათი დამოკიდებულება ბედისა და განგების მიმართ ექვემდებარება გარკვეულ ეტიკეტს, ტრადიციებს, ჩვეულებებს, როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისე ლიტერატურაში. ამ ეტიკეტური ნორმებით არის განპირობებული პოემის ალეგორიული და სიმბოლური სისტემა.

ახალი სპარსულიდან ქართულში შემოსულ კომუნიკაციურ ნასესხობათათვის

17. ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, განსახილველი ნასესხობები წარმოდგენილია ორი ჯგუფით – წმინდა სპარსიზმები და სპარსული გზით შემოსული არაბიზმები. იშვიათია ჰიბრიდული ფორმები. მეტესად, სესხებისას შენარჩუნებულია შესაბამისი სპარსული ფორმის გრამატიკული პოლისემია,როცა ერთი და იგივე სიტყვა დასტურდება როგორც კომუნიკაციურ,ასევე ნომინაციურ ერთეულად. ნასესხობა საკუთრივ ქართულ ნიადაგზეა გრამატიკულად პოლისემიზებული. იკვეთება საანალიზო კომუნიკაციურ ნასესხობათა ლექსიკურ არქივში გადასვლის ტენდენცია,რისი მიზეზიც სპარსულ-ქართულ ზეპირმეტყველებით ურთიერთობათა შეწყვეტაა.

On the Adaptation of Certain Late Persian Loans in Georgian (Phrasal Verbs)

18. სპარსულ-ქართულ ურთიერთობათა გვიანდელ ეტაპზე შემოსულ ნასესხობათა გარკვეული ჯგუფი, კერძოდ,ორკომპონენტიანი შედგენილი ზმნები განხილულია მათი სტრუქტურული,სემანტიკური და სტილისტური ადაპტაციის თვალსაზრისით. ს ნასესხობები ქართულში შეთვისებულია ჰიპერკალკის ფორმით,რაც გულისხმობს ზმნური ნაწილის ქართული შესატყვისით წარმოდგენასა და სახელადი ნაწილის უთრგმნელად გადმოტანას.დასტურდება როგორც მხოლოდ სტრუქტურული,ასევე სტრუქტურულ-სემანტიკური ჰიპერკალკირება. რიგ შემთხვევებში ნასესხები შედგენილი ზმნები წარმოდგენილია პარალელური ფორმებით, როგორც ჰიპერკალკის,ასევე ნასახელარი ზმნის სახით. ზოგიერთი ნასახელარი სპარსული ზმნა მხოლოდ ნასახელარი ფორმით გადმოდის, რაც მეტწილად განპირობებულია ეტიმონის ზმნური კომპონენტის გრამატიკულ-სემანტიკური თავისებურებებით. შტილიტური თვალსაზრისით, იკვეთება განსახილველ ნასესხობათა ორი ჯგუფი – სტილისტურად ნეიტრალური და მარკირებული ერთეულები. ს უკანასკნელნი მიდრეკილი არიან კოლოკვიალიზაციისა და ჟარგონიზაციისკენ,რაც ადასტურებს მათი ზეპირი გზით შემოსვლას ქართულში.

Morphonology of the Third Person Singular Possessive Affix in Turkish

19. მოხსენება შეეხო თურქულის სწავლებისას მრავალრიცხოვან აფიქსთა მორფონოლოგიური ცაწერის წესებს, რითაც ადვილდება III პირის კუთვნილებითი აფიქსის შესწავლა.

თურქული ტოპონიმები ქართულ ანთროპონიმიაში

20. მოხსენებაში განხილულია თურქული ტოპონიმები ქართულ ანთროპონიმებში.

აღმოსავლური სალექსო ფორმა – ყაზალი – ალექსანდრე აბაშელის ლირიკაში

21. ალექსანდრე აბაშელს რედიფიანი ყაზალით დაწერილი აქვს ერთი ლექსი, რომელშიც ძირითად სარითმო ერთეულს – ინა-ს უშუალოდ მიჰყვება ორსიტყვიანი რედიფი „მზე ამოდის“, რაც 1916 წლის ივლისში დაწერილი ლექსის სათაურად არის გატანილი.

საკუთარ სახელთა ერთი სახეობის თაობაზე

22. წინადადება არცთუ იშვიათია საკუთარ სახელად (მზევინარი, მევარკაციშვილი). მოხსენებაში თურქული წინადადებებია მოყვანილი, რომლებიც ქართულ ანთროპონიმიაში დასტურდება.

საერთო თურქული ლექსემები ქართულსა და ოსურ ენებში

23. თურქიზმები ბევრია როგორც ქართულში, ასევე ოსურში. მოხსენებაში განხილულია მხოლოდ საერთო თურქული ნასესხობები.

უნახაობის კატეგორიის შეპირისპირებითი ანალიზი ქართულ-თურქული თარგმანების მიხედვით

24. მოხსენებაში წარმოჩენილია უნახაობის კატეგორიის შეპირისპირებითი ანალიზი ქართულ-თურქული თარგმანების მიხედვით.

რამდენიმე სირიულ ენოვანი წარწერა უანზჰოუ-დან

25.

აღმოსავლეთის ასურული ეკლესიის ტერმინის “განხორციელება” განმარტებისათვის

26.

პეტრე იბერი ძველ სომხურ მწერლობაში

27. მოხსენებაში წარმოდგენილია და განხილული ის ძველი სომხური მწერლობის ძეგლები, სადაც ვხვდებით ცნობებს პეტრე იბერის შესახებ. კერძოდ, მეთორმეტე საუკუნის სირიელი ავტორის, მიქაელ ასურის ცნობილი თხზულების „ჟამთააღმწერლობა“ სომხურად შესრულებული თარგმანის ორი რედაქცია, აგრეთვე თეოლოგიურ კრებულებში შესული ცალკეული ტექსტები. შომხური მასალის შედარებამ პეტრე იბერის სირიულ და ქართულ ცხოვრებებთან აჩვენა, რომ სომხური ვერსიებისათვის წყაროს მიქაელ ასური „ჟამთააღმწერლობის“ ჯერ სირიული დედანი და შემდგომ მისი სომხური თარგმანი წარმოადგენს. შომხურ ვერსიებში მოხდა პეტრე იბერის ანტიქალკედონიტური პოზიციის მნიშვნელოვნად გაზრდა. მოხსენებაში გამოთქმულია ვარაუდი ასეთი ტრანსფორმაციის მიზეზის თაობაზე, - ქართულ-სომხური სარწმუნოებრივი დავის მოცემულ ეტაპზე (მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეები) სომხები განიცდიან ქართული ეკლესიის ზეწოლას და თავიანთი პოზიციის დასაცავად ავტორიტეტად იშველიებენ ცნობილ ქართველ საეკლესიო მოღვაწეს,პეტრე იბერს, რომელიც სწორედ ამ დროს ქართული ეკლესიის მხრივ წმინდანადაა აღიარებული და ამავე დროსაა ნავარაუდევი მისის ცხოვრების ქართული ვერსიის შექმნაც).

“წუალებათა შეჩუენებანი“

28. მოხსენებაში საუბარი იყო ვენურ ხელნაწერში დაცული პოლემიკური ტექსტის შესახებ,. გაირკვა რომ ტექსტი წარმოადგენს კომპილაციას, რომელიც შედგენილია წვალებათა შეჩვენებისა და ეფრემ ასურის თხზულებების გაერთიანების საფუძველზე . ეფრემ ასურის ფერიცვალების საკითხავი, რომელიც გამოყენბულია ტექსტისათვის, ე.წ. მეორე რედაქციისა და სხვაობს გამოქვეყნებული ბერძნული დედნისაგან.

„წმინდა ნინო გიორგი მთაწმიდელის სვინაქსარში“

29. მოხსენებაში საუბრია იყო გიორგი მთაწმიდელის მერ თარგმნილ სვინაქსარში არსებულ ნინოს ხსენებაზე, მისი მსახურების შექმნისა და შედგენის პრინციპებზე.

ქართველები ახლო აღმოსავლეთის სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე (ეგვიპტე XVII-XVIIIსს.)

30. მოხსენებაში ნაჩვენებია, რომ ქართველი მონების (მამლუქების) რაოდენობა ეგვიპტეში XIII-XV საუკუნეებში მცირე იყო. თუმცა ისინი ჩანან ამ პერიოდის მამლუქთა ელიტაში, რომელშიც დომინირებდნენ ჯერ ყივჩაღები და მოგვიანებით ჩერქეზები. ქართველები გავლენიანები ხდებიან ეგვიპტის სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე ოსმალთა ბატონობის დროს და განსაკუთრებით XVII ს-ის ბოლოდან XVIII ს-ის ბოლომდე. ამ პერიოდში ეგვიპტეს 6 ქართველი განაგებდა. მოხსენებაში განხილული და გაანალიზებულია არაბული წყაროების მონაცემები.

ეგვიპტის მამლუქთა სულტანი კაი’თ ბაი და ქართული სამონასტრო თემი იერუსალიმში

31.მოხსენებაში განხილული იყო სამი არაბული დოკუმენტი - კა’ით ბაის სამი ბრძანებულება საპატრიარქოს ბიბლიოთეკიდან, არაბულ ენაზე-თარგმანითურთ. დოკუმენტები შედგენილია იმდროინდელი დიპლომატიკური წესების საფუძველზე.

სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობა თურქეთის რესპუბლიკაში

32. პრობლემა განხილული იყო თურქეთის საშინაო და საგარეო ვითარების შესწავლის საფუძველზე. არსებული ვითარების და პუბლიკაციების გათვალისწინებით გაკეთებულია დასკვნა, რომ გარკვეული ტენდენციების და მმართველი პარტიის სოციალური და იდეოლოგიური საყრდენების მიუხედავად არ იკვეთება თურქეთში სეკულარიზმის (ლაიციზმის) პრინციპიდან გადახვევის საფრთხე.

ქალის სტატუსი ოსმალთა ეგვიპტეში (XVIIIს.)

33. მოხსენებაში, არაბული წყაროების მონაცემების მაქსიმალური გათვალისწინების

საფუძველზე, განხილული იყო ქალის სტატუსი XVIII საუკუნის მამლუქთა ეგვიპტეში, წარმოჩინდა ქართული წარმოშობის ქალების როლი მამლუქთა ელიტაში. მამლუქთა ოლიგარქია წარმართავდა ეგვიპტის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ამასთან, ქვეყნის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მამლუქთა ბეგების, ქაშიფების (პროვინციების გამგებლები) და მაღალი რანგის სხვა მამლუქების ცოლები, უპირატესად ყოფილი მონები. როგორც მამლუქთა სახლის წევრები (მხევლები და ცოლები), ისინი აგროვებდნენ ქონებას და ჰქონდათ გარკვეული ეკონომიკური დამოუკიდებლობა, სტატუსი და გავლენა საზოგადოებაში.

ქალი და განათლება მამლუქთა პერიოდის სირიაში

34. არაბული ბიოგრაფიული ჟანრის ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მუსლიმ სწავლულ ქალთა ბიოგრაფიებს. მოხსენებაში განხილული იყო აჰმად ბ. ʻალი ბ. ალ-ჰაჯარ ალ-ʻასკალანის (გარდ. 852/1449) და შამს ად-დინ ას-სახავის (გარდ. 902/1497) ბიოგრაფიულ კრებულებში დაცული ცნობები მამლუქთა პერიოდის დამასკოში ორი ცნობილი მუჰადისი ქალის შესახებ: ზაინაბ ბინთ ალ-ქამალ (646-740/1248-1339) და ʻაიშა ბინთ მუჰამად ბ. ʻაბდ ალ-ჰადი (723-816/1323-1413).

ამერიკის შეერთებული შტატები და იაპონიის 1947 წლის კონსტიტუცია

35. მეორე მსოფლიო ომში მარცხის შედეგად იაპონია ოკუპირებულ იქნა აშშ-ს სამხედრო ძალების მიერ, რომლებიც მოქმედებდნენ მოკავშირე სახელმწიფოთა სახელით. დემოკრატიული ხასიათის რეფორმების გატარებისას, აშშ-ს საოკუპაციო ხელისუფლებამ უმთავრეს პრიორიტეტად იაპონიის ახალი კონსტიტუციის მიღება მიიჩნია. საოკუპაციო ძალების მთავრსარდლის - დ. მაკარტურის რეკომენდაციით მომზადებული კონსტიტუციის პროექტი მოწონებულ იქნა იაპონიის მთავრობის მიერ, რის შედეგადაც 1947 წლის 3 მაისს ის ძალაში შევიდა.

ევროპელი მისიონერები იაპონიაში XVIს-ის მეორე ნახევარში

36. პირველი ევროპელები, რომლებმაც იაპონიის არქიპელაგზე ფეხი შედგეს, პორტუგალიელი ვაჭრები იყვნენ (1542წ.), მათ კვალდაკვალ კათოლიკე მისიონერებიც გამოჩნდნენ. ქრისტიანობის პირველი მქადაგებელი იაპონიაში იყო იეზუიტური ორდენის ერთ-ერთი დამაარსებელი ფრანცისკ ქსავიე, რომელიც 1549წ აგვისტოში ქ. კაგოშიმაში ჩავიდა მისიონერთა მცირე ჯგუფის თანხლებით. დროის მცირე მონაკვეთში ქრისტიანობამ საკმაოდ მრავალრიცხოვანი მრევლი გაიჩინა იაპონიაში, რასაც ქვეყნის იმჟამინდელი მმართველობაც უწყობდა ხელს. თუმცა, მე-16 საუკუნის მიწურულიდან მდგომარეობა ამ კუთხით რადიკალურად შეიცვალა პოზიტიურიდან ნეგატიურისკენ, რასაც კონკრეტული მიზეზები ჰქონდა.

On the question of the study of Japan in historical and cultural spectrum, 4th Japanese Education Seminar in Caucasus

37. გამორჩეული გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა და მკაცრი ბუნებრივი კატაკლიზმების გამო, იაპონია საუკუნეთა მანძილზე თვითმყოფად და უნიკალური მახასიათებლების მქონე სახელმწიფოდ ყალიბდებოდა. აქედან გამომდინარე, ძალზე დიდია მის მიმართ ინტერესი მთელ მსოფლიოში, მათ შორის საქართველოში. რამდენადაც საქართველოსა და იაპონიას შორის უკვე არსებობს დიპლომატიური , სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურულ-სამეცნიერო ურთიერთობების მყარი ტრადიციები, მეტად აქტუალური გახდა იაპონიის ისტორიულ-კულტურული ფენომენის აკადემიურ დონეზე, სიღრმისეულად შესწავლის აუცილებლობა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება თსუ-ში „შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის “ მიმართულების საქმიანობა.

თეატრალური ხელოვნება ტოკუგავას ეპოქის იაპონიაში

38. ტოკუგავას დინასტიის გაბატონებით (1603 წ.) იაპონიის ისტორიის ახალი ეტაპი დაიწყო, რაც სათანაოდ აისახა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სეგმენტზე - პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურის სფეროებზე. ინოვაციები კულტურის დარგში, უ. ყ.

თეატრალურ ხელოვნებას შეეხო. კერძოდ, ხალხური შემოქმედების წიაღში აღმოცენდა ახალი თეატრალური ჟანრი - კაბუკი, რომელშიც ჰარმონიულად იყო შერწყმული ხალხური ცეკვა, სიმღერა და მუსიკა. ტოკუგავას ეპოქაში (1603-1867) სწორედ ამ თეატრს ეჭირა დომინანტური პოზიცია.

საქართველო-ტრაპიზონის დიპლომატიური ურთიერთობები კომნენოსთა სამეფოს უკანასკნელ წლებში

39. 1204 წელს თამარ მეფის უშუალო ძალისხმევით შექმნილ ტრაპიზონის სამეფოს თავისი არსებობის ბოლო წლამდე (1461) მჭიდრო დიპლომატიური ურთიერთობა აკავშირებდა საქართველოს სამეფოსთან. გამოყოფის ღირსია XV საუკუნის მეორე ნახევარი ეს ერთგვარი დრამატული პერიოდია ორივე ქვეყნის ისტორიაში, რადგანაც ამ დროს არსებობას წყვეტს ტრაპიზონის სამეფო, ხოლო საქართველო იშლება სამეფო-სამთავროებად და ფაქტრივად მარტო რჩება მძლავრი მუსლიმური სახელმწიფოების გარემოცვაში. ამ პერიოდის საქართველო-ტრაპიზონის ურთიერთობებიდან გამოსაყოფია რამოდენიმე საკითხი:

5.მათი ერთობლივი მონაწილეობა ანტიოსმალურ კოალიციაში.

6.საქართველოს სამეფოსა და ტრაპიზონის სამეფოს ურთიერთკავშირები.

7.ტრაპიზონის სამეფოს ურთიერთობა საქართველოს მეფის მოჭინააღმდეგე მთავრებთან.

8.ქართველების მცდელობა ტრაპიზონის იმპერიის გადასარჩენედ.

ხეთური ელემენტები არმაზის კულტში

40.სპეციალურ ლიტერატურაში არმაზი გაიგივებულია სხვადასხვა ღვთაებასთან – აჰურამაზდასთან, არმასთან, თეშუბთან, ზევსთან, იუპიტერთან, მითრასთან და სხვ. ჩვენი აზრით, ეს იყო ხელოვნურად შექმნილი სინკრეტული სახელმწიფო კულტი ადგილობრივი თუ უცხო ტრადიციებიდან შეთვისებული ელემენტებით. მოხსენებაში ნაჩვენებია არმაზის კულტის პარალელები ხეთურ რელიგიურ ტრადიციასთან სამ სხვადასხვა დონეზე (სახელი, იკონოგრაფია და კოსმოლოგია) და ახსნილია ამ მსგავსებათა მიზეზები.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	აპოლონ სილაგაძე, ნინო ეჯიბაძე **/არაბისტიკა/**	On Arabic (Egyptian) Fiction Created in the Vernacular http://aidabucharest2015.lls.unibuc.ro/	International Conference of Arabist Dialectologists, 25-28 May, Bucharest, Romania
2	აპოლონ სილაგაძე, ნინო ეჯიბაძე **/არაბისტიკა/**	بعض قضايا تعليم اللغة العربية არაბული ენის სწავლების ზოგიერთი პრობლემა, (არაბულად)	საერთაშორისო კონფერენცია دور اللغات الشرقية فى التواصل „აღმოსავლური ენების როლი კომუნიკაციაში“, სფაკსი, თუნისი, 12-14 ნოემბერი
3	აპოლონ სილაგაძე, ნინო ეჯიბაძე **/არაბისტიკა/**	“ الأدب العربى)المصرى(المؤلف بالعامية: التصنيف إلى المراحل، الخصائص” არაბული (ეგვიპტური) დიალექტური ლიტერატურა:კლასიფიკაცია, სპეციფიკა	The First International Conference of Arabic Literature, Kiev, 4-5 June.
4	აპოლონ სილაგაძე, ნინო	Некоторые аспекты	Comparative Literature and

	ეჯიბაძე **/არაბისტიკა/**	зарождения и развития национальных литератур (на примере литературных процессов Египта)	Culture: Starting Points of National Literature and Culture. Baku, Azerbaijan, 17-18 November
5	აპოლონ სილაგაძე, ნინო ეჯიბაძე **/არაბისტიკა/**	Modern Literary Arabic vs Spoken Arabic – Modernization of the Language or Modernization of Teaching the Language? www.icefic.com	**International** Congress on Education for the Future: Issues and Challenges, 13-15 May, Turkey, Ankara, the congress was dedicated to the 50th anniversary of the establishment of Ankara University Faculty of Educational Sciences the 50th anniversary of the establishment of Ankara University Faculty of Educational Sciences
6	დარეჯან გარდავაძე **/არაბისტიკა/**	კულტურული დიალოგის მოდელები არაბულ პოსტკოლონიურ ლიტერატურაში (თავფიქ ალ–ჰაქიმის "ჩიტი აღმოსავლეთიდან", იაჰია ჰაკკის "უმმ ჰაშიმის კანდელი" მაგალითზე). – არაბულ ენაზე	ზეითუნას იორდანიის უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. 17-19 ნოემბერი, 2015 წ.
7	დარეჯან გარდავაძე **/არაბისტიკა/**	პოსტკოლონიური ლიტერატურის თარგმანი.- არაბულ ენაზე	კაიროს უნივერსიტეტისა და მანჩესტერის უნივერსიტეტების მიერ ორგანიზებული ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია „თარგმანის კულტურული პოლიტიკა“. 27-29 ოქტომბერი, 2015
8	დარეჯან გარდავაძე **/არაბისტიკა/**	Semiotics of the City of Beirut, Ameen Rihani's Literary ქალაქ ბეირუთის სემიოტიკა	The 1st International Conference on the History of Arabic Literature. Kyiv University პირველი საერთაშორისო კონფერენცია არაბული ლიტერატურის ისტორიაში. კიევის უნივერსიტეტი, 4-5 ივნისი, 2015 წ.
9	დარეჯან გარდავაძე **/არაბისტიკა/**	თარგმანი - კულტურული იდენტობის წვდომის ხიდი (პოსტკოლონიური ლიტერატურის თარგმანის მაგალითზე)- არაბულ ენაზე	თუნისის ალ-მანარას უნივერსიტეტისა და ლიბანური უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ერთობლივი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაცია და ენობრივი თავისებურებანი“. 2015 წ. 23-25 აპრილი

10	დარეჯან გარდავაძე **/არაბისტიკა/**	მაჰჯარის ლიტერატურა, მისი როლი და ადგილი არაბულ სამყაროში მიმდინარე ნაჰდას მოძრაობის ფარგლებში.- არაბულ ენაზე	თუნისის კაირუანის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო სკოლის „ახალი პერსპექტივები ენების, ლიტერატურისა და ჰუმანიტარულ კვლევებში“ ორგანიზებული საერთაშორისო სამეცნიერო ვორქშოფი „მოდერნიზაციის ფორმირება არაბულ სამყაროში“. 2015 წლის 28-29-30 აპრილი
11	მარინა ალექსიძე **/ირანისტიკა/**	მოულანას პოეტური მემკვიდრეობა საქართველოს სიძველეთსაცავებში	8-11 სექტემბერი, სტამბოლი
12	თეა შურღაია **/ირანისტიკა/**	A Glance through the Veil – A Snapshot of Comprehension of Modern Persian Literature in Iran and Abroad. მზერა ჩადრს მიღმა - თანამედროვე სპარსული ლიტერატურის აღქმა ირანში და მის ფარგლებს გარეთ.	Working Seminar Commemorating dr Marek Smurzyński Iranian literatures: Perspectives and Approaches 23-24 აპრილი, ირანულ ლიტერატურათა კვლევა: მეთოდები და სტრატეგიები, კრაკოვი (პოლონეთი)
13	მარინა ჯიქია **/თურქოლოგია/**	Türkçe öğretiminde bir gözlem (თურქულის სწავლებისას ერთი დაკვირვების შესახებ)	07-08.12.2015, ანკარა
14	გიული ალასანია **/აღმოსავლეთის ისტორია/**	„Georgian Diaspora in the past and today„ 47-ე ყოველწლიური ASEEES konferencia. „ქართული დიასპორა დღეს“	აშშ. ფილადელფია. 19-22 ნოემბერი, 2015.
15	გიული ალასანია **/აღმოსავლეთის ისტორია/**	Independence of Georgia during the reign of George the Brilliant. - მიჩიგანის უნივერსიტეტი, 50-ე საერთაშორისო კონგრესი. შუა საუკუნეების კვლევები	კალამაცო,აშშ. 14-17 მაისი, 2015
16	ნანი გელოვანი **/აღმოსავლეთის ისტორია/**	Women and labour migration in the Arab Gulf countries. – 10*th International Conference Woman in Culture:Gender,Culture &Migration.*	Faculty of Social Sciences, University of Gdansk. 6-7 March, 2015.

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

On Arabic (Egyptian) Fiction Created in the Vernacular

1.მოხსენებაში განხილულია დიალექტზე შექმნილი ეგვიპტური მხატვრული ლიტერატურა, რომელიც ინტენსიურად იწყებს განვითარებას გასული საუკუნის შუა ხანებიდან. ეს ლიტერატურული ტექსტები, ბუნებრივია, კლასიკური არაბული გრაფიკული სისტემის

გამოყენებით ფიქსირდება, ხოლო მათი რეპროდუქცია/გაშიფრვა ხდება, როგორც დიალექტური ტექსტისა (ჰეტეროგრაფია). მოხსენებაში ჩამოყალიბებულია რამდენიმე განზოგადებული დებულება ეგვიპტური დიალექტური მხატვრული ლიტერატურის შესახებ.

On Arabic (Egyptian) Fiction Created in the Vernacular

2.მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია არაბთა სალიტერატურო ენისგან გაუცხოების პრობლემაზე, რომელიც არ გადაჭრილა სალიტერატურო არაბულის მოდერნიზებული ვარიანტის (მოდერნ სტანდარდ რაბიც) გამოჩენის შემდეგაც. ვთვლით, რომ რეალობიდან გამომდინარე, უფრო აქტუალურია არა თვით ენის, არამედ ენის სწავლების მოდერნიზება. სალიტერატურო არაბული ენა არაბებს ესწავლებათ, უმეტეს შემთხვევაში, ტრადიციული მეთოდიკით, რომელიც საუკუნეების მანძილზე არ შეცვლილა. ამ კონტექსტში, უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს არაბული გრამატიკის სწავლების ორი გზა: ადგილობრივი (არაბული) და უცხოური (დასავლური, ევროპული) და ორივე ანგარიშგასაწევია. როგორც ჩანს, შესაძლებელია ჩამოყალიბდეს დებულება, რომ არაბულის არაბთათვის სწავლების პროცესში საჭიროა არაბულ და დასავლურ მეთოდიკებს შორის კოორდინირების გზით მოდერნიზებული მეთოდიკის ჩამოყალიბება, რამაც შესაძლოა დადებითი როლი ითამაშოს არაბთაგან სალიტერატურო ენის გაუცხოების პრობლემის მოგვარებაში.

არაბული (ეგვიპტური) დიალექტური ლიტერატურა:კლასიფიკაცია,სპეციფიკა

3.ტრადიცულად, დიალექტური მხატვრული ლიტერატურის ქრონოლოგიური კლასიფიცირება ხდება შემდეგნაირად: პირველი ეტაპი - 18-ე საუკუნემდე, და მეორე ეტაპი - 18-საუკუნიდან დღემდე. მომხსენებელთა აზრით, უფრო კორექტული იქნებოდა ამგვარი კლასიფიცირება: პირველი ეტაპი - მე-20 საუკუნის შუა ხანებამდე, და მეორე ეტაპი - 20-ე საუკუნის შუაცხანებიდან დღემდე, რადგანაც ამგვარ კლასიფიციაში გათვალისწინებულია დიალექტური ლიტერატურის ფუნქციური მხარე და მნიშვნელობა, რომელსაც იგი თამაშობს ლიტერატურულ პროსცესებში.

Некоторые аспекты зарождения и развития национальных литератур (на примере литературных процессов Египта)

4.მოხსენებაში განხლილულია თეზისი იმის შესახებ, რომ ეროვნული იდენტურობის განსაზღვრისთვის უმნიშვნელოვანესია ორი ფაქტორი - ლინგვისტური და ლიტერატურული. არაბული ლიტერატურა რეაქლურად წარმოადგენს საერთოარაბულ ლიტერატურას, რადგანაც, როგორი ლოკალიზაციისაც უნდა იყოს იგი (ეგვიპტური ერაყული და ა.შ.), ემყარება ერთსა და იმავე სალიტერატურო არაბულ ენას. ამასთანავე, მოცემულ სურათში პრინციპული ცვლილებები იწყება მას შემდეგ, რაც ძირითადად ეგვიპტეში, ისახება მხატვრული ლიტერატურა შექმნილი დიალექტზე.

სოციოლინგვიტურ ასპექტში ეს ნიშნავს, რომ ეგვიპტური დიალექტი უკვე აღარ არის მხოლოდ ზეპირსაკომუნიკაციო საშუალება, არამედ - ექვემდებარება რა სტანდარტიზაციას, ხდება ლიტერატურული მემკვიდრეობის შექმნის საშუალება, ლიტერატურის ენა - სალიტერატურო ენა.

ლიტერატურათმცოდნეობით ასპექტში - ჩვენს წინაშეა საკუთრივ ეგვიპტური ლიტერატურა, რომელიც უკვე აღარ არის საერთოარაბული ლ იტერატურის ჩვეულებრივი ფრაგმენტი, რადგან ემყარება საკუთარ - ეგვუპტურ არაბულს. ამ ენაზე სხვაგან ლიტერატურა არ იქმნება და არ შეიქმნება.

Modern Literary Arabic vs Spoken Arabic – Modernization of the Language or Modernization of Teaching the Language?

5.მოხსენებაში საუბარია არაბოფონურ სამყაროში სოციოლინგვისტურ სიტუაციაზე, სალიტერატურო ენის ფუნქციათა მოსალოდნელი შეკვეცაზე, არაბული ენისა და არაბულის სწავლების მეთოდიკის მოდერნიზების საკითხზე.

კულტურული დიალოგის მოდელები არაბულ პოსტკოლონიურ ლიტერატურაში (თავფიკ ალ–ჰაქიმის "ჩიტი აღმოსავლეთიდან", იაჰია ჰაკკის "უმმ ჰაშიმის კანდელი" მაგალითზე).

6.მოხსენებაში სხვადასხვა აქცენტით გაანალიზებულია არაბული პოსტკოლონიური

ლიტერატურა ორი რომანის მაგალითზე, სადაც კულტურათა დიალოგს შემოაქვს კულტურული იდენტობის ე.წ. ჰიბრიდული სივრცე, რომლის არეალში მოქცეული ვერც ერთი ეთნიკური თუ კულტურული იდენტობისა და მენტალობის მატარებელი ინდივიდი ვერ ინარჩუნებს თავის პირველად, საწყის სახეს. ამ დიალოგის სივრცეში მოქცეულნი, ისინი იძენენ ისეთ ახალ ელემენტებს, რაც მათ საწყის იდენტობას აკარგვინებს და სძენს ახალ იდენტობას, უფრო ტევადს, არსობრივი განახლებისთვის მზაობაში მყოფს.

პოსტკოლონიური ლიტერატურის თარგმანი.- არაბულ ენაზე

7.პოსტკოლონიური ლიტერატურა თავისთავად არის საინტერესო მასალა როგორც თარგმანისთვის (კულტურათა დიალოგი ყველაზე კარგად აქ ჩანს), ისე ლიტერატურული კრიტიკისთვის, ხოლო გლობალიზაციის საკითხების კვლევამ პოსტკოლონიური ლიტერატურა კიდევ უფრო აქტუალური გახადა – შეიმჩნევა გლობალიზაციის კვლევების თანხვედრა პოსტკოლონიურ კვლევებთან ძირითადად იქ, სადაც პოსტკოლონიალური ლიტერატურა ფოკუსირებულია კულტურათა განსხვავებებზე, ამ განსხვავებათა მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე.

Semiotics of the City of Beirut, Ameen Rihani's Literary

8. ზოგადად, ქალაქების სიმბოლური აღქმა ისეთივე ძველია, როგორც კაცობრიობის ისტორია. ახლო აღმოსავლეთში არაბულ–ისლამური ურბანული კულტურის განვითარებას გარკვეული ქალაქების, ძირითადად მეტროპოლიების (მაგ., დამასკო, ბაღდადი) გაიდეალება მოჰყვა საზოგადოებაში, სადაც მუდამ არის იდეალებისა და მიწიერი სამოთხის ძიების მოთხოვნილება. „ქალაქი–სამოთხეების" რიცხვს არაბულ ცნობიერებაში მყარად უკავშირდება ბეირუთის სახეც.

თანამედროვე არაბული ლიტერატურის მკვლევრებთან უკვე ყურადღების ფოკუსში მოექცა ბეირუთის ახალი მხატვრული პორტრეტი, რომელიც მიიჩნევა, რომ მეოცე საუკუნის 70–იანი წლებიდან იხატება და ამბივალენტურია, განსხვავებით ბეირუთის მანამდე უკვე დამკვიდრებული ტრადიციული, გაიდეალებული მხატვრული სურათისა. ეს ახალი მხატვრული პორტრეტი, რომელიც რამდენიმე ცნობილ ავტორთან გვხვდება (ნიზარ კაბბანი, მაჰმუდ დარვიში, ელიას ხური), თავის თავში ერთდროულად მოიცავს სიწმინდესა და ბიწიერებას – ბეირუთი არის ერთსა და იმავე დროს მიუწვდომელი და სათაყვანებელი სატრფოცა და ფატალური/საბედისწერო ქალი და მეძავიც, რომელსაც მოაქვს საბედისწერო სიყვარული და სიკვდილი; თანამედროვე არაბული ლიტერატურის მკვლევრებთან აღნიშნულია, რომ ბეირუთის მეტაფორული ტრანსფორმაცია ქალის სახით და მისი ქალად განსხეულება, ამგვარი მხატვრული სახით წარმოდგენა, მისი ეს ამბივალენტურობა, პირდაპირ კავშირშია ლიბანის სამოქალაქო ომთან და ამ ომის ფონზე ბეირუთში დატრიალებულ ტრაგიკულ პერიპეტიებთან.

ჩემ მიერ წარმოდგენილ მოხსენებაში მთავარი სიახლე ამ საკითხის გაშუქებაში არის ის, რომ ქ. ბეირუთის ამბივალენტური სახით წარმოჩენა არაბულ ლიტერატურაში უკავშირდება არა მეოცე საუკუნის 70-იან წლებს და ლიბანის სამოქალაქო ომის ანარეკლს, არამედ მაჰჯარის ლიტერატურას და არაბ რომანტიკოსებს. ამგვარი ხედვის ანალიზი წარმოვადგინეთ ამინ არ-რეიჰანის მხატვრულ–ფილოსოფიური ესსეების მაგალითზე (ბეირუთის აღწერა, დიადი ქალაქი და სხვ.).

თარგმანი - კულტურული იდენტობის წვდომის ხიდი (პოსტკოლონიური ლიტერატურის თარგმანის მაგალითზე)- არაბულ ენაზე

9. მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება დათმობილი აქვს კულტურული იდენტობის საკითხებს არაბულ პოსტკოლონიურ ლიტერატურაში, სადაც შემოდის კულტურული დიალოგის, კულტურული იდენტობის ე.წ ჰიბრიდული სივრცე, რომლის არეალში მოქცეული ვერც ერთი ეთნიკური თუ კულტურული იდენტობის მატარებელი ინდივიდი ვერ ინარჩუნებს თავის პირველად, საწყის სახეს. ამ დიალოგის სივრცეში მოქცეულნი, ისინი იძენენ ისეთ ახალ ელემენტებს, რაც მათ საწყის იდენტობას აკარგვინებს და სძენს ახალ იდენტობას,

უფრო ღიას, მოქნილს, უფრო ტევადს, ტრადიციების შენარჩუნებისა და არსობრივი განახლებისთვის მზაობაში მყოფს.

მაჰჯარის ლიტერატურა, მისი როლი და ადგილი არაბულ სამყაროში მიმდინარე ნაჰდას მოძრაობის ფარგლებში.- არაბულ ენაზე

10. მაჰჯარის ლიტერატურა, მიუხედავად იმისა, რომ იქმნებოდა არაბული რეგიონის გარეთ, რეალურად იყო ნაჰდას მოძრაობის განუყოფელი და ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი, რადგან ის იყო როგორც არაბული კულტურის მოდერნიზაციის ერთ-ერთი ძლიერი კატალიზატორი, ასევე დასავლური ღირებულებების აღმოსავლურ კულტურასთან პოზიტიური კუთხით სინთეზის ინიციატორი.

მაჰჯარის ლიტერატურა, რომელმაც ფართოდ გაუღო კარები დასავლურ ლიტერატურულ ტენდენციებს, ხშირ შემთხვევაში სათავეს უდებს ისეთ ლიტერატურულ ინოვაციებს, რომლებიც, არაბულ ნიადაგზე მოხვედრილები, ბევრად მოგვიანო ხანაში ჰპოვებენ განვითარებას არაბულ ლიტერატურაში, რაც ინსპირირებულია სხვადასხვა პოლიტიკურ-სოციალურ-კულტურული ფაქტორებით.

მოხსენება აანალიზებს მაჰჯარის ლიტერატურისა და მისი წამყვანი ფიგურების როლს და ადგილს არაბული ლიტერატურის მოდერნიზაციის პროცესში.

მოულანას პოეტური მემკვიდრეობა საქართველოს სიძველეთსაცავებში

11.მოხსენება შეეხება საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ ექსპონატებს, რომლებიც დიდ ირანელ პოეტს მოულანას უკავშირდება.

A Glance through the Veil – A Snapshot of Comprehension of Modern Persian Literature in Iran and Abroad

12.მოხსენება ეხება კრიტიკოსებისა და მთარგმნელების მიერ თანამედროვე სპარსული ლიტერატურის (მე-20 ს.-ის ბოლო ათწლეულებიდან მოყოლებული დღემდე) აღქმას ირანსა და მის ფარგლებს გარეთ. საანალიზოდ აღებულია ირანელი პროზაიკოსების მაგალითები, რომელთა ნაწარმოებების თარგმნის პრაქტიკული გამოცდილება აქვს მოხსნების ავტორს.

Türkçe öğretiminde bir gözlem (თურქულის სწავლებისას ერთი დაკვირვების შესახებ)

13. თურქულს მდიდარი სუფიქსური ინვენტარი აქვს, რაც რთული მორფონოლოგიური წესების გამო აძნელებს სწორ მეტყველებას. მოხსენების მიზანია, ბრუნვის ნიშანთა სისტემის სისწორის დაურღვევლად 84 ასოიანი 38 სუფიქსის ნაცვლად 6 წევრიანი და 12 ასოიანი დაწერილობის შემოღება.

Georgian Diaspora in the past and today

14.მოხსენებაში საუბარი იყო ქართულ დიასპორებზე ძველად და ახლა. ნაჩვენები იყო მათ შორის განსხვავებები, მოტანილი იყო პროცესების განმაპირობებელი მიზეზები სხვადასხვა ეპოქაში და დიასპორების კავშირი დედა სამშობლოსთან და მათი ინტეგრაციის ხარისხი მიმღებ ქვეყნებში.

Independence of Georgia during the reign of George the Brilliant

15.მოხსენებაში გამახვილებული იყო ყურადღება საქართველოს დამოუკიდებლობის ხარისხზე გიორგი ბრწყინვალის დროს და მის შემდგომ პერიოდში მთელი მე-15 ს-ის მანძილზე.

Women and labour migration in the Arab Gulf countries

16.მოხსენებაში განხილული იყო ქალთა შრომითი მიგრაციის განმასხვავებელი თავისებურებები ყურის არაბულ ქვეყნებში. ყურადღება გამახვილდა მიგრაციის ეტაპებზე, მის დადებით და უარყოფით შედეგებზე, საიმიგრაციო პოლიტიკაზე, ქალი შრომითი მიგრანტების ნაკადზე, მიღების პროცედურებზე, ინტეგრაციის პოლიტიკაზე, დასაქმების სფეროებზე, დისკრიმინაციაზე (მიგრანტთა უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლების შეზღუდვა: არასტანდარტული სამუშაო დღე, დაბალი ანაზღაურება, ინდივიდუალური პატრონაჟის /სპონსორობის/ სისტემა - ქაფალა და სხვ.) და შრომით მიგრაციაზე, როგორც

კულტურათა შორის კონფლიქტის განმაპირობებელ ფაქტორზე.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროგრამის ფარგლებში შესრულებული საგრანტო პროექტი „იდიომატური გამოთქმები არაბულში (ეგვიპტისა და სირია-ლიბანის დიალექტები, სალიტერატურო ენა)“. აღმოსავლეთმცოდნეობა	ნინო ეჯიბაძე **/არაბისტიკა/**	ნინო ეჯიბაძე, ევა გურგენიშვილი (დოქტორანტი), ლელა ჯოყილაძე (დოქტორანტი)	თსუ გრანტი
2	ამინ რეიჰანისა და ჯიბრან ხალილ ჯიბრანის მცირე პროზა, ესეისტიკა – აკადემიური თარგმანი	დარეჯან გარდავაძე **/არაბისტიკა/,** საპროექტო წინადადების ავტორი, მთარგმნელი	იზოლდა გრძელიძე, ნინო დოლიძე, ინგა ზურაბიშვილი, ნინო სურმავა	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის მიერ დაფინანსებული პროგრამა "უცხოური ლიტერატურა ქართულ თარგმანებში"
3	ძველი ახლო აღმოსავლეთის ისტორია (დამხმარე სახელმძღვანელო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის). დარგი - ისტორია	ირინე ტატიშვილი **/ასირიოლოგია/**		
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				
1.არაბოფონურ საზოგადოებაში დიალექტურ იდიომატურ გამოთქმათა შესწავლა დამატებით მნიშვნელობას იძენს გამომდინარე არაბული დიალექტების სოციოლინგვისტური სტატუსიდან და დიდი განფენილობიდან; აქ, პირველ რიგში, იგულისხმება დიგლოსიის მოვლენა და ის, რომ სწორედ დიალექტები წარმოადგენენ არაბულ სოციუმში მშობლიურ ენებს – ბუნებრივი გზით ათვისებულ ენებს, ენებს ყოველდღიური კომუნიკაციისა; ამასთან, ზოგიერთი დიალექტის სოციოლინგვისტური სტატუსი იმითაცაა საინტერესო, რომ ისინი, ერთი მხრივ, გრადაციაში ქმნიან რეგიონულ სტანდარტებს, მეორე მხრივ – სტანდარტიზაციას განიცდიან იმის გამო,				

რომ ავლენენ წერილობითი ენობრივი ფორმებად დამკვიდრების ტენდენციას.

ქტუალობას არაა მოკლებული იდიომატურ გამოთქმათა ისეთი შესწავლა, სადაც გათვალისწინებული იქნებოდა ერთდროულად სალიტერატურო არაბულისა და არაბული დიალექტების მონაცემები. ასეთი მასალა (სალიტერატურო და დიალექტური იდიომების კორპუსის შემცველი) დამატებით საფუძველს იძლევა შემდგომი კვლევისთვის, ვინაიდან მოსალოდნელია, ამ სიბრტყეშიც იჩინოს თავის საინტერესო ენობრივმა მოვლენებმა, როგორებიცაა, მაგალითად, ტრანსდიალექტური პოლისემია, სინონიმია, სემანტიკის გაფართოება ან დავიწროება და მისთ.

პროექტში ჩართულ პერსონალს პრაქტიკული წვდომა ჰქონდა/აქვს სათანადო დიალექტის მატარებლებთან, ამდენად, პროექტზე მუშაობისას, პირველ რიგში, გამოყენებული იყო ინფორმანტებთან მუშაობის მეთოდი. ასალა ასევე დაიძებნა დიალექტზე შექმნილ მხატვრულ ლიტერატურაში, ლექსიკონებში და ა.შ.

პროექტის შედეგად წარმოდგენილია ფრაზეოლოგიზმების ამსახველი დიალექტური და სალიტერატურო ენის მასალა. შექმნილია გამოკვლევა, რომელშიც ასახულია: დიგლოსიური და დიალექ ტთა შორისი პოლისემიის ფაქტები, დიგლოსიური და ტრანსდიალექტური სინონიმიის ფაქტები. მოცემულია ლექსემები, რომლებიც ხშირად გამოდიან ფრაზეოლოგიზმთა საბაზო ფუნქციით (მათზე განსაკუთრებით ხშირად იგება ამ ტიპის გამოთქმები), ასეთი ლექსემები შეიძლება იყოს: სუბსტანტივები („თვალი“, „სისხლი“ და მისთ.), ადიექტივები (განსაკუთრები, „ცივის, გრილის“ მნიშვნელობისა, ასევე – ფერის აღმნიშვნელი ზედსართავები), ზმნები („დაარტყა“, „გატეხა“ და მისთ.).

2. ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის მიერ დაფინანსებული პროგრამით გამოცემული კრებული იხ. მცირე პროზა. სეისტიკა (ქართული თარგმანები). მთარგმნელები: დარეჯან გარდავაძე, იზოლდა გრძელიძე, ნინო დოლიძე, ინგა ზურაბიშვილი, ნინო სურმავა.

3. შესრულდა 2014-2017 წწ. პროექტის 2015 წლის გეგმით გათვალისწინებული სამუშაო: ხეთების იმპერია, 50 გვ. ნაშრომი მოიცავს ხეთების მთელ ისტორიას (ძველი სამეფო, შუა და ახალი სამეფოები), ილუსტრირებულს ხეთური ტექსტების ავტორისეული თარგმანებით.

IV. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1				
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დასავლეთ ევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

2015 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში

თბილისი

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება

დასავლეთ ევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი პროფ. **მანანა გელაშვილი**

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

30 თანამშრომელი (მათ შორის 7 პროფესორი, 14 ასოცირებული პროფ. 9 ასისტენტ-პროფ.)

I. 1. <u>საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით</u> 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, მე-15 ტომის დასრულება (ლექსიკოგრაფია)	მთავარი რედაქტორი თინათინ მარგალიტაძე	გიორგი მელაძე გელა ხუნდაძე მაია დავლიანიძე ია ორმოცაძე
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე) 2015 წელს გრძელდებოდა მუშაობა დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის მე-15 ტომის შევსებაზე, რომელშიც შესულია ასოები: Q, R. დასრულდა ასო R-ის შევსება, რომელიც ორი მიმართულებით მიმდინარეობდა, ერთი მხრივ იგი შეივსო სიტყვა-სტატიებით, მათ შორის ტერმინოლოგიური სიტყვა-სტატიებით, მეორე მხრივ კი არსებული სიტყვა-სტატიები განივრცო პოლისემიური მნიშვნელობებით, ფრაზეოლოგიური ერთეულებით, ფრაზული ზმნებით, სალექსიკონო სიტყვა-სტატიებს დაემატა საილუსტრაციო ფრაზები და წინადადებები.			

I. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	სამეცნიერო ტექსტების ინგლისურ-ქართული პარალელური კორპუსი (კორპუსული ლინგვისტიკა)	თინათინ მარგალიტაძე	მ. დავლიანიძე გ. ქერეჭაშვილი ი. ორმოცაძე ქ. ჭიღლაძე მ. მახათაძე

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

ინგლისურ-ქართული სამეცნიერო ტექსტების პარალელურ კორპუსში დასრულდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბის“ ტომების გაციფრება და ატვირთვა. გათანაბრებულია ინგლისურ-ქართული წინადადებების 80 %. დღეისათვის კორპუსში 1 300 000 სიტყვაფორმაა. კორპუსის შევსება მომავალშიც გაგრძელდება სამეცნიერო ტექსტებით.

2015 წელს შეიქმნა კორპუსის „ტერმინოლოგიური“ მოდული და დეტალური ძიების ფუნქცია. აღნიშნული მოდული და დეტალური ძიების ფუნქცია საშუალებას იძლევა კორპუსიდან სორტირებულად იქნეს ამოღებული ამა თუ იმ დარგის ტერმინოლოგია შემდგომი ლექსიკოგრაფიული დამუშავებისათვის. კორპუსის ეს ახალი ფუნქციონალი შემოწმდა საბანკო-საფინანსო ტექსტების მასალაზე, კორპუსიდან ამოიკრიფა საბანკო-საფინანსო ტერმინების შემცველი ტექსტები შემდგომი ლექსიკოგრაფიული დამუშავებისათვის. ამჟამად მიმდინარეობს ამ ტერმინების ლექსიკოგრაფიული დამუშავება კორპუსის დახმარებით, შედგენილი სიტყვა-სტატიები კი შეავსებს დიდ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონს საბანკო-საფინანსო ტერმინოლოგიით. ზემოხსენებული კვლევა წარდგენილ იქნა 2015 წლის სექტემბერში თბილისში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე: „ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები“

2016 წელს გაგრძელდება კორპუსის ინგლისური და ქართული ტექსტური წყვილების გათანაბრება, სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიის მონიშვნა, ასევე დავიწყებთ მუშაობას კორპუსის ქართული ნაწილის ანოტირებაზე (არსებითი სახელი).

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მონაცემთა ბაზა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული, თურქული და არაბული ეკვივალენტებით) AR/15/2-120/14. გამოყენებითი	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი და თსუ	პროფ. მანანა რუსიეშვილი	ასოც.პროფ რუსუდან დოლიძე; ასოც. პროფ. ქეთევან ლორთქიფანიძე; სოც. პროფ სოფიო მუჯირი; ფილ.დოქტორი ხათუნა თუმანიშვილი; მარინა კვანტალიანი; ნატო ახალაია; ტატიანა მოსკალენკო-ჭეიშვილი
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე) იმ მიდგომებისა და მეთოდოლოგიების შესწავლა, რომელიც მსოფლიო წამყვან				

კვლევით ცენტრებში ტარდება სხვადასხვა კულტურის მკვლევართა მიერ აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად; ქართული ენის სპეციფიკისთვის შესატყვისი კვლევის რელევანტური და პრაგმატული გზის განსაზღვრა; მასალის შეგროვება მითითებული ენების ფრაზეოლოგიური და ანდაზური ფონდებიდან (გამოცემული კრებულები, ლექსიკონები...) მსოფლიოში აპრობირებული კრიტერიუმების გათვალისწინებით, რომელიც იხმარება მსგავსი მასალის შეკრების დროს; ბაზის საჩვენებელი ელ. ვერსიის მომზადება.

I. 4.

2	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	„ტექნიკური ტერმინოლოგიის ინგლისურ-ქართული ელექტრონული და ონლაინ-ლექსიკონი“	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	თინათინ მარგალიტაძე	თინათინ მარგალიტაძე გიორგი მელაძე გელა ხუნდაძე მაია დავლიანიძე ზაალ ზურაბაშვილი გიორგი ქერეჭაშვილი

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

ორწლიანი პროექტის მესამე საანგარიშო ექვსთვიანი პერიოდი დასრულდა 2015 წლის 5 ოქტომბერს. ანგარიში ჩაბარდა შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს.

1. სამ საანგარიშო პერიოდში ტექნიკური ტერმინოლოგიის ინგლისურ-ქართული ლექსიკონისათვის შედგენილია **14 000 ტერმინი,** რომლებიც ასოების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

A – 1217 სიტყვა-სტატია;
B – 1349 სიტყვა-სტატია;
C – 3089 სიტყვა-სტატია;
D – 1188 სიტყვა-სტატია;
E – 716 სიტყვა-სტატია;
F – 1131 სიტყვა-სტატია;
G – 447 სიტყვა-სტატია;
H – 700 სიტყვა-სტატია;
I – 560 სიტყვა-სტატია;
J K L – 895 სიტყვა-სტატია;
Q – 100 სიტყვა-სტატია;
R – 1098 სიტყვა-სტატია;

სხვადასხვა ასოებზე შედგენილი სიტყვა-სტატიები:

M – P – 765 სიტყვა-სტატია;
S – Z – 758 სიტყვა-სტატია (მათ შორის კავშირგაბმულობის და ნაწილობრივ კომპიუტერული ტერმინები). ტერმინების ნაწილს დართული აქვს განმარტებები და რუსული ეკვივალენტები;

2. მესამე საანგარიშო პერიოდში დასრულდა მუშაობა ტექნიკური ტერმინოლოგიის ელექტრონული ლექსიკონის მეორე ვერსიაზე და მასში ჩაიტვირთა ამ პერიოდისათვის უკვე შედგენილი 14 000 სიტყვა-სტატია. პროგრამას ჩაუტარდა ტესტირება.

3. ტექნიკური ტერმინოლოგიის ონლაინ-ვერსიაში აიტვირთა ამ დროისათვის უკვე შედგენილი 14 000 სიტყვ-სტატია და პროგრამას ჩაუტარდა ტესტირება. ტექნიკური ტერმინოლოგიის ონლაინ-ლექსიკონი განთავსებულია მისამართზე: http://tech.dict.ge

4. დასრულდა მუშაობა ონლაინ-ლექსიკონის მართვის პანელზე, რომელსაც აქვს შემდეგი ფუნქციები:
1) ლექსიკონის სიტყვანის დათვალიერების, რედაქტირების ფუნქციები;
2) ახალი სიტყვების დამატების ფუნქცია;
3) მომხმარებლების მიერ განხორციელებული ძიების ლოგები;
4) რედაქტორისთვის საჭირო ინსტრუმენტები - გენერატორები და კონვერტორები.

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	„ქართული მოდერნიზმი“ (ქართველოლოგია, კომპარატივისტიკა)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	გაგა ლომიძე	კონსტანტინე ბრეგაძე
2	"ქართული ლიტერატურა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი. კომპარატივისტული კვლევები" (ქართველოლოგია, კომპარატივისტიკა)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ირმა რატიანი	კონსტანტინე ბრეგაძე

დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

1. პროექტის („ქართული მოდერნიზმი“) ფარგლებში განსაზღვრული და დაკისრებული ამოცანებიდან გამომდინარე, შესრულებულ იქნა საგრანტო პროექტით გათვალისწინებული თავი გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების პრობლემებზე - პოეტიკა და მსოფლმხედველობა.

2. პროექტის („ქართული ლიტერატურა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი. კომპარატივისტული კვლევები“) ფარგლებში განსაზღვრული და დაკისრებული ამოცანებიდან გამომდინარე, შესრულებულ იქნა საგრანტო პროექტით გათვალისწინებული თავი „ევროპული მოდერნიზმი და ქართული მოდერნისტული მწერლობა (ქართული ლიტერატურული მოდერნიზმის სოციოკულტურული, ესთეტიკური და პოეტოლოგიური კონტექსტები)“.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნინო ჭრიკიშვილი	ესპანური ენის ხმოვნებისა და თანხმოვნების დიაქრონიული ფონოტაქტიკა	თბილისი, 2015 გამომცემლობა „მერიდიანი“	159
2				
3				
ანოტაციები ქართულ ენაზე მონოგრაფიაში განხილულია ესპანური ენისათვის დამახასიათებელი ხმოვანთა და თანხმოვანთა კომპლექსები და გაანალიზებულია მათი ევოლუცია სხვადასხვა ლინგვისტური მოვლენების ფონეზე. ნაშრომი წარმოადგენს დიაქრონიულ კვლევას და აგებულია ეტიმოლოგიური ლექსიკონების მონაცემებზე დაყრდნობით. წიგნი განკუთვნილია ესპანური ენის ისტორიული ფონეტიკა-ფონოლოგიით და დიაქრონიული ფონოტაქტიკით დაინტერესებული მკვლევარებისათვის. მონოგრაფია დაიწერა შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ 2013 წელს გამოცხადებული პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტის ფარგლებში.				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდ ების რაოდე ნობა

1	მანანა რუსიეშვილი და ეკატერინე თოფურია	*Cultural aspects of the translation-to ignore or not to ignore?*	*II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია " თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება"*	აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	5 გვერდი (387-391)
2	მანანა რუსიეშვილი და მერი გიორგაძე	*კალამბურის კიდევ ერთი სახეობის თაობაზე*	საენათმეცნიერო ძიებანი (იბეჭდება)	თბილისი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი	6
3	თ. მარგალიტაძე	„დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი და შექსპირის ქართული თარგმანები“	კრებულში: *„შექსპირი 450“* (საერთაშორისო კონფერენციის მასალები)	გამომცემლობა „უნივერსალი“ თბილისი, 2015	გვ. 137 - 148
4	თ. მარგალიტაძე	„თანამედროვე ქართული ორენოვანი ლექსიკოგრაფიის ამოცანები“	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის წელიწდეული	თსუ გამომცემლობა	გადაეცა დასაბეჭდად
5	ნინო დარასელია	‚წყლის ხატები დიკენსის ნაწარმოებებში’, ‚საენათმეცნიერო ძიებანი’	№ 38	არნ.ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი	14
6	ნინო დარასელია	*Blessing Formulas across Cultures (on material from English, Georgian and Russian)’ ‘Civilization Researches’* (‚ლოცვა-კურთხევის ფორმულები სხვადასხვა კულტურაში: ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენათა მასალაზე’), ‚ცივილიზაციური ძიებანი’	№ 12	ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტი კულტურის მეცნიერებათა ინსტიტუტი, ინტერკულტურული დიალოგის იუნესკოს კათედრა. თბილისი:თსუ გამომცემლობა.	15
7.	მანანა გელაშვილი	შექსპირის „ქარიშხალი’’ : სტურუას ფილოსოფიური კარნავალი.	კრებულში: *„შექსპირი 450“* (საერთაშორისო კონფერენციის მასალები)	თბილისი, უნივერსალი 2015	გვ.52-61
8	მანანა	„ტრადიციისა და ნოვატორობის	“ლიტერატურათ-მცოდნეობის	თბილისი, ლიტერატურის	იბეჭდე

	გელაშვილი	გააზრება ვირჯინია ვულფის ესეებში.	თანამედროვე პრობლემები”.	ინსტიტუტი.	ბა
9	ინესა მერბიშვილი	შექსპირის 130-ე სონეტი და მისი ინტერპრეტაციის პრობლემა თარგმანში.	კრებულში: *„ შექსპირი 450“* (საერთაშორისო კონფერენციის მასალები)	თბილისი, უნივერსალი 2015	9
10	დავით მახიაშვილი	“შექსპირის თეატრი როგორც დროის მანქანა ტომ სტოპარდის პიესასა და ფილმში როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდარნი არიან”	კრებულში: *„ შექსპირი 450“* (საერთაშორისო კონფერენციის მასალები)	თბილისი, უნივერსალი 2015	
11	დავით მახიაშვილი	მიმეტური სურვილი ტომ სტოპარდის შემოქმედებში	“ლიტერატურათ-მცოდნეობის თანამედროვე პრობლემები”.	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტი.	იბეჭდება
12	დავით მახიაშვილი	„როზენკრანცის და გილდენსტერნის მოგზაურობა ჰიპერრეალობაში“	VII საერთაშორისო კონფერენცია ამერიკათ მცოდნეობაში	ქუთაისი, აწსუ.	იბეჭდება
13	**გ. ყუფარაძე,** ქ. ლორთქიფანიძე	ოფიციალური და არაოფიციალური მიმართვის ფორმათა ანალიზი დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა წიაღში. *საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე*	ტ.9,№2	თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა www.science.org.ge/moambe/ moambe-g.html	6
14	ც. ახვლედიანი, **გ. ყუფარაძე**	ომონიმია ინგლისურ და ფრანგულ კალამბურებში *"ენა და კულტურა"*	№13	თბილისი მერიდიანი, info@meridianpub.com	6
15	ც. ახვლედიანი, **გ. ყუფარაძე**	ზოონიმთა შემცველი ადიექტური ფრაზეოლოგიური ერთეულები ინგლისურ და ფრანგულ ენებში *"კულტურათ შორისი დიალოგები" III საერთაშორისო კონფერენციის შრომები*		თბილისი მერიდიანი, info@meridianpub.com	6
16		Supra-segmental and Segmental Stylistic Devices in W.		უნივერსალი universal@internet.ge	6

		Shakespeare's "Hamlet" *Collected Papers of International Conference- "Shakespeare 450"*			
17	ც. ახვლედიანი, **გ. ყუფარაძე**	სიტყვათა სემანტიკური დერივაცია თანამედროვე ინგლისურ და ფრანგულ ენებში. *საენათმეცნიერო ძიებანი*	ტ. XXXVII	თბილისი, ბ. ჯორბენაძის საზოგადოება, www.ice.ge	იბეჭდება
18	**გ. ყუფარაძე,** ქ. ლორთქიფანიძე	პრონომინალურ სისტემათა მსგავსება-განსხვავებები ინგლისურ და თურქულ ენებში *აღმოსავლეთმცოდნეობა Oriental Studies*	№ 4	უნივერსალი universal@internet.ge	იბეჭდება
19	ირინე დემეტრაძე	ზოგი რამ ცემინებასა და ხველასთან დაკავშირებული სამეტყველო ეტიკეტის შესახებ	საენათმეცნიერო ძიებანი, ივნისი, 2015	არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი,	7 გვერდი
20	მაია გურგენიძე	ნეოლოგიზმები, როგორც კულტურული და ტექნოლოგიური ცვლილებების მარკერები (ინგლისური და ქართული ენის მაგალითზე) სამეცნიერო შრომები	XV	თბილისი, თსუ გამომცემლობა	5
21	ლელა ებრალიძე	„კულტურული ფილტრი და მისი გამოყენება თარგმანში" თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო ჟურნალი "ჰუმანიტარული კვლევები, წელიწდეული"	2015, N6	თბილისი, თსუ გამომცემლობა	10
22	ნანა გუნცაძე	რემბო და საფრანგეთ-პრუსიის ომი	საერთაშ. სამეცნ. ჟურნალი "Scripta manent" N4	თბილისი.	
23	ნანა გუნცაძე	ა. რემბოს რევოლუციური პროგრამა და	საერთაშ. სამეცნ. ჟურნალი "Scripta manent" N4	თბილისი.	

		ნათელმხილველობის ექსპერიმენტი			
24	ნინო ქავთარაძე	ჟაკ რუბოს ახალი და კარგად დავიწყებული გროტესკი		იბეჭდება	5
25	ნინო ქავთარაძე	სამყაროს უელბეკისეული დასასრული		იბეჭდება	10
26	ნინო ჭრიკიშვილი	„ესპანური ენის კონსონანტური კომპლექსებისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური ტრანსფორმაციები“ სამეცნიერო ჟურნალი „ Scripta menent“	1 (25)	თბილისი	5 გვერდი (93-97)
27	ციური ახვლედიანი, ნინო ჭრიკიშვილი	„მეტაფორა ფრანგულ და ესპანურ ემოციურ ფრაზეოლოგიზმებში“ სამეცნიერო ჟურნალი „ Scripta menent“	3 (27)	თბილისი	5 გვერდი (15-19)
28	მარინე კობეშავიძე	თამაში როგორც უცხოური ენის სწავლების ერთ-ერთი ეფექტური საშუალება	¨Scripta Manent”, 2015, N 1(25)	თბილისი.	გვ. 63-72
29.	სალომე კენჭოშვილი	“Carnivalized Literature in Gabriele D’Annunzio’s Novellas”. *Georgian electronic journal Litinfo*	№8/2	Pweb. 29.07.2015 http://www.litinfo.ge/vol.%208,-iss-%202/kench%20salome.pdf	4
30	ნინო ქიმერიძე	I თ ღ ჩI Iმ ჩIIშ შ IთXIშ თVIშ თ ღ თ I I I I ღ შჯ V შI (ღ IთIღ I ღთ I ღ შI თ Iშ ღ ღ Iშ შ ძ)	Proceedings of the 1 st Interr Conference High Education Technologies and Innovation	ქუთაისი, აწსუ გამომცემლობა	http://atsu.edu.ge/EJournal/HENTI/ebook/International/KimeridzeNino.pdf (11 გვერდი) - ატვირთულია ელვერსია
31	ნ. კაპანაძე/ო. კაპანაძე	მცირე კომპიუტერული რესურსების მქონე ენების სინტაქსურად ანოტირებული მრავალენოვანი პარალელური ხეების ბანკი.	N12	თბილისი, თსუ გამომცემლობა	

		“ცივილიზაციური ძიებანი”.			
32	ნ. კაპანაძე	Iშ თ I Iშ თ Iშ ჩ ღთV Iთ ღ ჩ I ღ Iშ შ Vღ შ Iშთღ ღ ღ შI	Proceedings of the 1 st Interr Conference High Education Technologies and Innovation	ქუთაისი, აწსუ გამომცემლობა http://atsu.edu.ge/EJournal /HENTI/ebook/New /KapanadzeNunu.pdf	10
33	სოფიო მუჯირი	კულტურული პოლიფონია არაგერმანულენოვან ავტორთა გერმანულენოვან ლიტერატურაში.	გ. გაჩეჩილაძის დაბადების წლისთავისადმი მიძღვნილი სამეც შრომათა კრებული	თბილისი, თსუ გამომცემლობა 2015.	იბეჭდება
34	კონსტანტინე ბრეგაძე	ქართული მოდერნიზმი როგორც *ოქციდენტოცენტრიზმი* (ქართული ლიტერატურული მოდერნიზმის სოციო-კულტურული, ესთეტიკური და პოეტოლოგიური კონტექსტები) - სჯანი. ჟურნალი ლიტერატურის თეორიასა და შედარებით ლიტერატურათმცო დნეობაში	N 16	თბილისი, ლიტ. ინსტ-ის გამ-ობა	16
35	კონსტანტინე ბრეგაძე	„ღამით ჰამლეტთან ერთად დავიძინე“ (ნოვალისი), ანუ შექსპირის რეცეფცია გერმანულ რომანტიზმში - შექსპირი-450		თბილისი, გამ-ობა „უნივერსალი“	10 გვ.
36	თამარ ჭუმბურიძე	ჰუბერტ ქაუჭჰოლდი და მისი ქართველოლოგიური მოღვაწეობა, მრავალთავი	24	თბილისი	8
37	თამარ ჭუმბურიძე, ნინო ქიმერიძე	გერმანულენოვანი ხელნაწერები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, მრავალთავი	24	თბილისი	6

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. თარგმანის თეორიის ერთ-ერთი პრობლემაა კულტურული თვალსაზრისით მარკირებული ერთეულების თარგმანი. სევე კარგად არის ცნობილი, რომ

თარგმანის დროს ტექსტის ვერბალური და სემანტიკური ტრანსპოზიციის გარდა, გულისხმობს კულტურულ ტრანსპოზიციასაც. მგვარად, თარგმანის აქტი იღებს კულტურული აქტის სტატუსს და მჭიდროდ უკავშირდება სამიზნე ენასა და კულტურაში დამკვიდრებულ კულტურულ და სოციალურ ასპექტებს. (Venuti, 1995: 18; Larson, 984: 436–7; Fernandez Guerra, 2012:1–3).

2. სტატიაში განხილულია ადეკვატური ტრანსპოზიციისა და კულტურულ პრაგმატიკული ეკვივალენტურობის პრობლემატიკა. ულტურულად მარკირებული ერთეულების ცნობილი კლასიფიკაციების (Snell-Hornby, 1995: 10–15; Newmark, 1998) შეჯერების შემდეგ რუსიეშვილის (რუსიეშვილი, 2014) მიერ შეთავაზებული კლასიფიკაცია ამ სტატიაში სრულყოფილი სახით არის წარმოდგენილი, და განიხილავს კულტურული თვალსაზრისით მარკირებული ერთეულების მაქსიმალურად სრულ სპექტრს.

3. **თინათინ მარგალიტაძე, „დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი და შექსპირის ქართული თარგმანები“**

სტატიაში განხილულია დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის სიტყვა-სტატიებზე მუშაობის მეთოდოლოგია, რომელმაც განაპირობა ის, რომ დღეს ლექსიკონის მომხმარებლებს შორის არიან არა მხოლოდ ინგლისური ენის შემსწავლელები, არამედ მთარგმნელებიც, მათ შორის უილიამ შექსპირის ნაწარმოებების ქართულ ენაზე მთარგმნელებიც. ლექსიკონი სწორედ ასეთად იყო ჩაფიქრებული ინგლისური ფილოლოგიის კათედრისა და მისი პირველი გამგის, პროფ. გივი გაჩეჩილაძის მიერ, რომელიც ლექსიკონის შექმნის ერთ-ერთი ინციატორი იყო და როგორც მთარგმნელი, ყველაზე კარგად გრძნობდა დიდი აკადემიური ინგლისურ-ქართული ლექსიკონის
საჭიროებასაც და ნაკლებობასაც.

სტატიაში სალექსიკონო სიტყვა-სტატიაზე მუშაობის მეთოდოლოგია ნაჩვენებია შექსპირის 130-ე სონეტის რამდენიმე სიტყვის მაგალითზე, მოყვანილია სონეტის რამდენიმე ქართული თარგმანი ამ სიტყვების ინტერპრეტაციის თვალსაზრისით.

4. **თინათინ მარგალიტაძე, „თანამედროვე ქართული ორენოვანი ლექსიკოგრაფიის ამოცანები“**

სტატიაში, ლექსიკოგრაფიული ცენტრის მრავალწლიან გამოცდილებასა და კვლევებზე დაყრდნობით, გაანალიზებულია თანამედროვე ქართული აკადემიური ორენოვანი ლექსიკოგრაფიის ამოცანები, როგორც ზოგადი ლექსიკოგრაფიის, ისე დარგობრივი ლექსიკოგრაფიის თვალსაზრისით.

5. **ნინო დარასელია, წყლის ხატები დიკენსის ნაწარმოებებში**

ნაშრომი განიხილავს წყლის ხატთა ფუნქციებს, კოგნიტიურ და სტილისტურ დატვირთვას ჩარლზ დიკენსის რომანებში: ‚სიძველეთა ფარდული’ ‚ოლივერ ტვისტი’, ‚დეივიდ კოპერფილდი’, ‚პატარა დორიტი’, ‚დიდი იმედები’, ‚მძიმე დროება’, ‚ჩვენი საერთო მეგობარი’, „ორი ქალაქის ამბავი”. მპირიული მასალა გაანალიზებულია დისკურსის ანალიზის (ბრაუნი და იული 1983), სტილისტიკისა (ლიიჩი 2007, ტულანი 1988, 2008) და კოგნიტიური ლინგვისტიკის თვალსაზრისით (კოვეჩესი 2008, ლეიკოფი 1993, ლეიკოფი და ჯონსონი 1980, სტოკუელი 2005).

6. **ნინო დარასელია, ლოცვა-კურთხევის ფორმულები სხვადასხვა კულტურაში (ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენათა მასალაზე)**

ნაშრომი განიხილავს ქართულ, ინგლისურ (ბრიტანული და ამერიკული პლენდო) და რუსულ ლოცვა-კურთხევის ფორმულებს ფრეიმული სემანტიკის, დისკურსის ანალიზისა და პრაგმატიკის თვალსაზრისით. მპირიული მასალა მოიცავს როგორც

ზეპირმეტყველებითი, ასევე წერილობითი დისკურსის ჟანრთა ნიმუშებს, ასევე ინფორმანტებისგან მოპოვებულ მასალას.

თემის არჩევანი განაპირობა შემდეგმა ფაქტორმა: თანამედროვე ქართული მეტყველება მდიდარია ლოცვა-კურთხევის ფორმულებით; ეს უკანასკნელნი ინტეგრირებულნი არიან ყოველდღიურ სამეტყველო ეტიკეტში, წარმოადგენენ რა სხვადასხვა ტიპის ვერბალური რიტუალის (როგორც ოფიციალურის, ასევე არაოფიციალურის) განუყოფელ ნაწილს. ხშირად აღნიშნული მახასიათებელი არის ძირითადი მიზეზი ინგლისურად ან რუსულად მოლაპარაკე ქართველთა მეტყველებაში არსებული ინტერფერენციული ხასიათის შეცდომებისა.

მპირიული მასალის ანალიზმა ცხადყო, რომ მიმართება ლოცვა-კურთხევის ფორმულის პირდაპირ მნიშვნელობასა და მის პრაგმატიკულ ფუნქციას შორის სამი ტიპისაა:

1. ლოცვა-კურთხევას შენარჩუნებული აქვს თავისი პირდაპირი მნიშვნელობა და კომუნიკაციისას ფუნქციონირებს, როგორს წმინდა სახის ლოცვა-კურთხევის ფორმულა.
2. ლოცვა- კურთხევის ფორმულა ნაწილობრივ არის დაცლილი თავისი რეფერენციული მნიშვნელობისგან და ფუნქციონირებს, როგორც ვერბალური რიტუალის ელემენტი.
3. ლოცვა-კურთხევის ფორმულა სრულად არის დაცლილი თავისი პროპოზიციული მნიშვნელობისგან, ე.ი. იდიომატიზებულია და გრამატიზებული და წარმოადგენს ვერბალურ რუტინას, რომელიც შესაძლოა წარმოადგენდეს ვერბალური რიტუალის ნაწილს.

7. ნაშრომში წარმოდგენილია თითოეული ტიპის ანალიზი.

7. მანანა გელაშვილი, შექსპირის „ქარიშხალი" : სტურუას ფილოსოფიური კარნავალი.

აღნიშნულ სტატიაში გაანალიზებულია ეტ სეტერას თეატრში, მოსკოვში, რობერტ სტურუას მიერ დადგმული *ქარიშხალი* (2011), სადაც სტურუა რამოდენიმე წელი მუშაობდა, მას შემდეგ რაც რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობიდან გაათავისუფლეს საქართველოს პრეზიდენტის კრიტიკის გამო.

სტურუა, რომელსაც შექსპირის არაერთი პიესა დაუდგამს (*ჰამლეტი, მეფე ლირი, მაკბეტი, მეთორმეტე ღამე, რიჩარდ III*) ცნობილია შექსპირის ტექსტების თავისი კრეატიული და ღრმა წვდომით. სპექტაკლში *ქარიშხალი* სტურუა გვთავაზობს სერიოზულ და კომპლექსურ პოსტ-მოდერნისტულ ხედვას რომელიც ორივე პლანს მოიცავს: თეატრალუსაც და პოლიტიკურსაც.

სტურუამ შექსპირის ხუთ-მოქმედებიანი პიესა, ერთ მოქმედებიან სპექტაკლად აქცია და მის მთელ სპექტაკლს ლაიტმოტივად შესქსპირის ცნობილი ფრაზა „მთელი სამყარო სცენაა" გასდევს, სადაც მთავარი გმირი პროსპერო ერთ დროულად პერსონაჟიცაა, შექსპირის ალტერ ეგოცაა და სპექტაკლის რეჟისორადაც გვევლინება სცენაზე.

რასაც პროსპერო სწავლოს ბევრად უფრო მნიშვნელოვანია იმაზე რასაც ის აღწევს. პროსპერო აანალიზებს იმას, რომ მიტევება ბევრად უფრო მაღლა დგას ვიდრე შურისძიება და ყველასათვის და ყველაფრისათვის დამსახურებული ადგილის მინიჭება. რეჟისორი და მსახიობი (მიხეილ კალიაგინი) პროსპერო მიდის იმ ფილოსოფიურ დასკვნამდე, რომ თავისი მაგიური ძალების გამოყენების მიუხედავად ადამიანების პოლიტიკური მაქინაციებიცა და მათი სისულელეებიც სამყაროს თანმდევი მოვლენაა და მისი შეცვლა შეუძლებელია.

სცენა, რომელიც მინიმალისტურ სტილშია გადაწყვეტილი, კოსტიუმები, რომლებიც სხვადასხვა ეპოქის გამოძახილია (სტურუა ამ შემთხვევაშიც გოგი ალექსი-მესხიშვილისა და გია ყანჩელის გუნდთან ერთად მუშაობდა) და მუსიკა, რომელიც საოცრად ღრმა და შემაძრწუნებელია - ერთად ქმნიან კარნავალისა (ქართული შუასაუკუნეების თეატრის) და ბრეხტის ეპიკური თეატრის კომბინაციას. .

8. მანანა გელაშვილი, ტრადიცია და ინოვაცია ვირჯინა ვულფის ესეებში

ვირჯინა ვულფმა ჩამოაყალიბა და გაავრცელა მაღალი-მოდერნიზმის ესთეტიკა არა მხოლოდ მის რომანებში არამედ მის ესეებშიც. ის იყო ერთ-ერთი პირველი, რომელიც წერდა იმ ინოვაციებზე რომელიც მოდერნიზმის ეპოქამ მოიტანა: ცნობიერების ნაკადი, სწორხაზოვანი კომპოზიცია და დროისა და სივრცის ახლებური აღქმა.

ვირჯინია ვულფის „ესეების კრებული" არის ექვს-ტომეული, რომლის მთავარი ამოცანაა გვითხრას, რომ ყველაზე კარგად გააზრებული ინოვაცია აუცილებლად უნდა ემყარებოდეს ტრადიციას.

მიუხედავად იმისა, რომ ვირჯინია ვულფი სასტიკად აკრიტიკებდა ედვარდის დროინდელ მწერლებს მათი „მატერიალიზმის" გამო, საკამოდ ბევრი ესე ეთმობა ტრადიციულ მწერლებსაც, როგორებიც არიან ჯეფრო ჩოსერი, ჯონ დონი, ლორენს სტერნი, მიშელ დე მონტენი და სხა. სწორედ მათ ნამუშევრებს მიიჩნევდა ვულფი იმ ტრადიციად, რომელზე დაყრდნობითაც ახალი ინოვაციები უნდა დაშენებულიყო.

9. ინესა მერაბიშვილი, შექსპირის 130-ე სონეტი და მისი ინტერპრეტაციის პრობლემა თარგმანში

შექსპირის 130-ე სონეტი მისი შინაარსის თვალსაზრისით სამწუხაროდ არასწორად არის წარმოდგენილი ქართულ და რუსულ თარგმანებში. მხატვრული ნაწარმოების ყოველი თარგმანი, პირველ ყოვლისა, ტექსტის ინტერპრეტაციის ფაქტს წარმოადგენს. ტექსტის ლინგვისტიკის თანამედროვე მეთოდოლოგია გამოყოფს შინაარსობრივი ინფორმაციის სხვადასხვა ფენას, რომელიც საშუალებას გვაძლევს, ვიმსჯელოთ თარგმნილი ტექსტის მიღწევებზე. მგვარად, ჩვენ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ შექსპირის 130-ე სონეტი არასწორად იყო ინტერპრეტირებული მთარგმნელთა მიერ, ძირითადად მისი ერთი პწკარის არასწორი ინტერპრეტაციის გამო. ს პწკარი გახლავთ შემდეგი: "If hairs be wires, black wires grow on her head", რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „თუ თმები მავთულებია, შავი მავთულები ამოზრდილა მის თავზე".

შტატის მიზანია, გავხსნათ ამ განსაკუთრებული პწკარის რეალური შინაარსი სონეტის ერთიანი შინაარსის გათვალისწინებით მისი თარგმნილი ვარიანტების საპირისპიროდ.

შტატის ბოლოს ავტორი წარმოადგენს აღნიშნული სონეტის ქართულ და რუსულ საკუთარ თარგმანებს.

10. დავით მაზიაშვილი, "შექსპირის თეატრი როგორც დროის მანქანა ტომ სტოპარდის პიესასა და ფილმში როზენკრნაცი და გილდენსტერნი მკვდარნი არიან"

სტატიაში "შექსპირის თეატრი როგორც დროის მანქანა ტომ სტოპარდის პიესასა და ფილმში როზენკრნაცი და გილდენსტერნი მკვდარნი არიან" განხილულია შექსპირის და მისი თეატრის მხატვრული და იდეური მნიშვნელობა თანამედროვე ბრიტანელი დრამატურგის ტომ სტოპარდის პიესასა და ფილმში „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდარნი არიან". ოსტმოდერნისტული ლიტერატურისთვის დამახასიათებელი მეტა-თეატრის და მეტა-დრამატურგიის მხატვრული ტექნიკის მეშვეობით სტოპარდი თავის პერსონაჟებს როზენკრანცსა და გილდენსტერნს შექსპირის პიესაში „ჰამლეტი" ამოგზაურებს. შექსპირის თეატრი გააზრებულია როგორც დროის მანქანა და შედარებულია ვუდი ალენის მოთხრობას "კუგელმასის შემთხვევა"(*The Kugelmass Episode*). სტატიაში შექსპირის თეატრი, როგორც დროის მანქანა სპეციალური ნახაზითაა წარმოდგენილი და სტატიის მეორე ნაწილში შედარებულია თანამედროვე ფიზიკის ისეთ აქტუალურ მეცნიერულ თეორიებს, როგორებიცაა ე.წ. „შავი ხვრელი" და „ჭიის ხვრელი"(wormhole). ასევე ცნობილი ფრანგი თეორიტიკოსის და ფილოსოფოსის რონალდ ბარტსის აზრების ანალიზით შექსპირის თეატრი შედარებულია ე.წ. "კიბერნეტიკულ მანქანას". ოველივე ეს კი ნაშრომში გააზრებულია ნიუტონის, ეინშტეინის და ჰოუკინგის მეცნიერულ

თეორიებზე დაყრდნობით.

11. დავით მაზიაშვილი, მიმეტური სურვილი“ ტომ სტოპარდის შემოქმედებაში

თანამედროვე ბრიტანელი დრამატურგი სერ ტომ სტოპარდის შემოქმედებას გამორჩეული ადგილი უკავია, როგორც ბრიტანეთის, ასევე მსოფლიო თეატრალურ და ლიტერატურულ სივრცეში. რამატურგი მიიჩნევს, რომ იგი ტრადიციული თეატრისა და ლიტერატურის გამგრძელებლია, რაზეც ხშირად შენიშნავს, რომ იგი კონსერვატორია პატარა „კ“-თი. ონსერვატორია პოლიტიკაში, ლიტერატურაში, განათლებასა და თეატრში.

თომ სტოპარდის შემოქმედება მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა ტექსტების და თავად კლასიკოსი ავტორების ახლებური გააზრებით გამოირჩევა. მის საილუსტრაციოდ რამდენიმე პიესის დასახელებაც საკმარისია: „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდარნი არიან“ (*Rosencrantz and Guildenstern are Dead*) (1966), „მოხტუნავენი“ (*Jumpers*) (1972), „პაროდისტები“ (*Travesties*) (1975), „არკადია“ (*Arcadia*) (1993) და ა.შ. დრამატურგი საკუთარ პიესებს პოსტმოდერნული ლიტერატურულ-მხატვრული ხერხებითა და ტექნიკით თხზავს.

სტატიაში პოსტმოდერნული ესთეტიკის გადმოსახედიდან შესწავლილია მიმეტური სურვილი და მიმეტური სურვილის შედეგად წარმოქმნილი მსხვერპლშეწირვის რიტუალის მნიშვნელობა ტომ სტოპარდის პიესებში „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდარნი არიან“, „მოხტუნავენი“ და „არკადია“. კვლევის თეორიულ ბაზისს თანამედროვე ფრანგი ანთროპოლოგისა და ლიტერატურის კრიტიკოსის რენე ჟირარის ნაშრომები წარმოადგენს, რომელმაც შემოიტანა ტერმინი „მიმეტური სურვილი“.

12. დავით მაზიშვილი, „როზენკრანცის და გილდენსტერნის მოგზაურობა ჰიპერრეალობაში“

სტატიაში გააზრებულია თანამედროვე ბრიტანელი დრამატურგის ტომ სტოპარდის პიესისა და ფილმის „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდარნი არიან” მიხედვით პოსტმოდერნული ლიტერატურისა და ზოგადად ეპოქის მრავალი პრობლემური საკითხი. შტოპარდის პიესასა და ფილმის სხვადასხვა ეპიზოდზე დაყრდნობით მთავარი მოქმედი პერსონაჟების მოგზაურობა და რეალობა დაკავშირებულია იმ რეალობასთან, რომელსაც ამერიკის „სიმულაკრული“ და „ჰიპერრეალური“ რეალობა ჰქვია.

ოსტმოდერნიზმის ფართო თემატური სპეციფიკის გათვალისწინებით გააზრებულია პოსტმოდერნიზმის დაინტერესებულ ისეთ მკვლევართა აზრები, როგორებიც არიან: ჟან ბოდრიარი, სლავოი ჟიჟეკი, ბრენ ნიკოლი, ფრედრიკ ჯეიმსონი და უმბერტო ეკო.

ნაშრომში ტექნოლოგიური მიღწევების შედეგებთან ერთად გაანალიზებულია გლობალური კაპიტალისტური ფინანსური ორგანიზაციების მნიშვნელობის საკითხები, რომლებიც ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად არის მიჩნეული პოსტმოდერნულ სამყაროს არსებობაში.

ოსტმოდერნიზმის ესთეტიკა დიდ გავლენას ახდენს როგორც სტოპარდის შემოქმედებაზე, ასევე თანამედროვე ლიტერატურაზე, ხელოვნებასა და სოციალურ ყოფაზე. ს გავლენა გამოიხატება თანამედროვე ეპოქაში სინამდვილის დადგენის პრობლემურობაში, ორიგინალის ასლისაგან გარჩევის, მცდარის ჭეშმარიტისგან განსხვავების პროცესშიც. ოსტმოდერნულ სამყაროში ამგვარი გაურკვევლობის და ქაოსის შექმნას ტექნოლოგიაზე დამყარებული მეცნიერებები და მასმედია განაპირობებს, სიტუაციის მიკრომოდელად კი ამერიკა, კალიფორნიის შტატი, უფრო ზუსტად ჰოლივუდი გვევლინება, სადაც დღევანდელობის იმგვარი

კინომატოგრაფირება ხდება, როცა გარე სინამდვილის კინოს რეალობით ჩანაცვლება, ხოლო სინამდვილის ფიქციად გარდაქმნა ხდება.

13. გ. ყუფარაძე, ქ. ლორთქიფანიძე
ოფიციალური და არაოფიციალური მიმართვის ფორმათა ანალიზი დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა წიაღში

სოციოლინგვისტიკაში განსხვავება მიმართვის ოფიციალურ და არაოფიციალურ ვარიანტებს შორის აღიქმება როგორც მიმართვის ფორმათა მრავალფეროვნება ერთი ენის ფარგლებში, რომელიც ორიენტირებულია კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა დონეზე თავაზიანობის, სოციალური კუთვნილების, პატივისცემის, მოსაუბრეთა ასაკის მინიშნებისა და ა.შ. ხაზგასასმელად. ეს განსაკუთრებით ნათლად მაშინ წარმოჩნდება, როდესაც ენებს შორის სხვაობა მკვეთრად თვალშისაცემია.
წინამდებარე სტატია სწორედ იმ მსგავსებებისა და განსხვავებების გამოვლენას ეძღვნება, რომლებსაც შესაძლებელია ადგილი ჰქონოდა საანალიზოდ შერჩეული ინგლისური და თურქული ენების წიაღში. გამოწვლილვითმა კვლევამ, რომელიც ისტორიულ-შედარებითი და ტიპოლოგიური შესწავლის მეთოდებს ეყრდნობოდა, გამოავლინა ის დიაქრონიული ცვლილებები, რომლებიც მიმართვის ოფიციალურმა და არაოფიციალურმა ფორმებმა განიცადა საუკუნეების განმავლობაში. კერძოდ, ძველი ინგლისურიდან საშუალო ინგლისურის გავლით მეცამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან მეთექვსმეტე საუკუნის განმავლობაში. 1600 წლის შემდგომ აღნიშნული ცვლილებები, სტანდარტულ ინგლისურში, უმთავრესად ლიტერატურული და რელიგიური სახიათის ტექსტებში ფიქსირდებოდა, როგორც არქაული ფორმები. მიმართვის ფორმათა შორის განსხვავება კარგად შემოინახა უ. შექსპირის ქმნილებებმაც მე-16 საუკუნეში.
რაც შეეხება თურქულ ენას, მასში მიმართვის ოფიციალურ და არაოფიციალურ ფორმათა შორის განსხვავება ამჟამადაც მკაფიოდაა შენარჩუნებული. მეგობრები და ოჯახის წევრები, ისევე როგორც უფროსი თაობის წარმომადგენლები, ურთიერთშორის საუბრისას მხოლობითი რიცხვის მეორე პირის ფორმას იყენებენ. იმავე ფორმით მიმართავენ ისინი უმცროსი ასაკის თანამოსაუბრეთაც. ოფიციალურ სიტუაციებში (იგულისხმება: პირველი შეხვედრა პიროვნებასთან, საქმიანი ურთიერთობის სფერო, კოლეგებს შორის საუბარი) ფართოდ გამოიყენება მეორე პირის მრავლობითი ფორმა. ძალზე ოფიციალურ სიტუაციებში მეორე პირის ორმაგი მრავლობითის ფორმას იყენებენ პიროვნებისადმი უსაზღვრო პატივისცემის გამოსახატად. იშვიათად, პიროვნებისადმი ღრმა პატივისცემის გადმოსაცემად შესაძლებელია ზმნის უღლების მესამე მრავლობითის გამოყენებაც. ბრძანებითის გადმოსაცემად კი სამი ფორმა არსებობს: მხოლობითის მეორე (არაოფიციალურ სიტუაციაში), მრავლობითის მეორე და ორმაგი მრავლობითის მეორე (ოფიციალურ სიტუაციებში). მიმართვათა არაოფიციალური ფორმები არცთუ ისე ხშირად გამოიყენება.

დასკვნის სახით, უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი ნაშრომი ერთგვარი მცდელობაა ქცევის მოცემულ ფორმათა წიგნიერებასა და ენობრივი აქტივობის სხვა უნარებთან ურთიერთდაკავშირების გამოვლინების თვალსაზრისით, რომელიც ასევე მკაფიოდ წარმოაჩენს სხვადასხვა კულტურაში ენობრივი ქმედების სხვა ასპექტებსაც, რაც, თავის მხრივ, სამომავლო და ხანგრძლივი, საფუძვლიანი მეცნიერული დაკვირვების საწინდარია.

14. ც. ახვლედიანი, გ. ყუფარაძე
ომონიმია ინგლისურ და ფრანგულ კალამბურებში

ენობრივი თამაშის წყაროს წარმოადგენს სიტყვათა თამაში, ანუ კალამბური, რომელიც იქმნება თვით ენაში არსებულ სხვადასხვა ენობრივ საშუალებათა (მრავალმნიშვნელოვნობის, ომონიმიის, ფრაზეოლოგიის) დახმარებით და მათგან წარმოქმნილი თანაყოერადობით. ერთსა და იმავე კონტექსტში ომონიმთა გამოყენება ხაზს უსვამს თანაყოერად სიტყვათა მნიშვნელობებს, უკანა პლანზე გადადის ფონეტიკური მსგავსება და წინა პლანზე წამოიწევს ლექსიკური ორაზროვნება, რაც ქმნის კომიკურ, ანეკდოტურ ეფექტს. ნეკდოტი, წარმოადგენს რა ყველაზე გავრცელებულ კომიკურ ჟანრს, იწვევს მნიშვნელოვან ინტერესს ლინგვისტთა შორის, ენობრივ საშუალებათა გამოვლენისა და ანალიზის სფეროში. Iნგლისურ და ფრანგულ ანეკდოტ-კალამბურებში, ენობრივი თამაში

ხშირად აიგება ომონიმიის საფუძველზე.

15. ც. ახვლედიანი, გ. ყუფარაძე
ზოონიმთა შემცველი ადიექტური ფრაზეოლოგიუ რი ერთეულები ინგლისურ და ფრანგულ ენებში. ადიექტური ფრაზეოლოგიური ერთეულების მკვლევარები, სხვადასხვა ენათა მასალაზე, გამოყოფენ ორ ძირითად სტრუქტურულ კლასს: კომპარატიულებს და არაკომპარატიულებს. ჩვენს საკვლევ ინგლისურ და ფრანგულ ენებში, ზოონიმთა შემცველ ადიექტიურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში შეინიშნება კომპარატიულ ადიექტიურ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სიჭარბე. ინგლისური და ფრანგული ენების კომპარატიული ადიექტიური ფრაზეოლოგიური ერთეულების ყველაზე პროდუქტიული მოდელია "Adj.+Comp+Noun" ("ზედსართავი+შედარებითი კავშირი+ზოონიმი"). ამ სტრუქტურული ტიპის ფრაზეოლოგიური ერთეულები, უმეტესად, კონსტანტურ-ვარიანტულები არიან.

16. გ. ყუფარაძე
უ.შექსპირი - „ჰამლეტი" ზესეგმენტური და სეგმენტური სტილისტური ხერხები

„ჰამლეტი" უ. შექსპირის ცნობილ ტრაგედიათა რიცხვს მიეკუთვნება. მათში ბევრი ზოგადსაკაცობრიო პრობლემაა განხილული.

წარმოდგენილ ნაშრომში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ტექსტში სეგმენტურ და ზესეგმენტურ მახასიათებლებზე. მათი ემოციური დატვირთულობის ხარისხზე.

ლექსიკური და სინტაქსური სტილისტური ხერხების ურთიერთმონაცვლეობა ტექსტში ფუნქციური მრავალპლანიანობის გამოვლინების კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა. ცალკე მსჯელობის საგანია ფონეტიკურ სტილისტურ ხერხთა ურთიერთშენაცვლების დინამიკური და რიტმიკულ-სტრუქტურული სურათი.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ტექსტში რეალიზებული სტილისტური ხერხები ნაწარმოებს კიდევ უფრო მეტ ემოციურ და ქვეტექსტუალურ ეფექტს ანიჭებს და ამ უკანასკნელს შრეობრივი ანალიზის კუთხით უფრო მეტად მრავალწახნაგოვანსა და საინტერესოს წარმოგვიჩენს. ენობრივი სტილისტური ხერხები ის იარაღია, რომლებიც მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და სხვადასხვა ენობრივ დონეზე განსხვავებულ ფუნქციურ თუ შინაარსობრივ დატვირთვას ჰმატებენ ნაწარმოებს.

.

17. ახვლედიანი, გ. ყუფარაძე
სიტყვათა სემანტიკური დერივაცია თანამედროვე ფრანგულ და ინგლისურ ენებში

სემანტიკური დერივაცია წარმოადგენს ლექსიკური დერივაციის კერძო შემთხვევას. შემანტიკური დერივაცია იძლევა საშუალებას, რომ შეიქმნას ახალი სიტყვები, უფრო ზუსტად – ახალი მნიშვნელობები, უკვე ნაცნობი სიტყვების დახმარებით და არა ნასესხობებით ან ახალი სიტყვებისა და სიტყვაფორმების შექმნით. შემანტიკური ნეოლოგიზმები – ასე უწოდებენ სიტყვებს, რომლებმაც ახალი მნიშვნელობა შეიძინეს. შემანტიკური ნეოლოგია გვხვდება სამი ფორმით: 1. ერთი ლექსემის კუთვნილ სემათა ჯგუფის ცვლა მეტაფორის, მეტონიმიის, შედარებისა და ა. შ. გზით; 2. კონვერსია; 3. შემანტიკური ნეოლოგიის სოციოლოგიური ფორმა: სიტყვების გადანაცვლება ხმარების ერთი სფეროდან მეორეში. შევეცადეთ შეგვესწავლა ფრანგულ და ინგლისურ ენებში ბოლო ათწლეულებში შემოსულ ნეოლოგიზმთა სინტაქტიკურ-სემანტიკური ევოლუცია, რომელიც თანდათან პოულობს ასახვას ფრანგულ და ინგლისურ ლექსიკოგრაფიაში.

18. გ. ყუფარაძე, ქ. ლორთქიფანიძე
პრონომინალურ სისტემათა მსგავსება-განსხვავებები ინგლისურ და თურქულ ენებში

პრონომინალურ სისტემათა მსგავსება-განსხვავებები ინგლისურ და თურქულ ენებში აღიქმება როგორც მიმართვის ფორმათა მრავალფეროვნებაში, ისე ერთი ენის ფარგლებში,

რომელიც ორიენტირებულია კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა დონეზე ხაზგასასმელად. ეს განსაკუთრებით ნათლად მაშინ წარმოჩნდება, როდესაც ენებს შორის სხვაობა მკვეთრად თვალშისაცემია.

წინამდებარე სტატია სწორედ იმ მრავალფეროვნებათა გამოვლენას ეძღვნება, რომლებსაც შესაძლებელია ადგილი ჰქონოდა საანალიზოდ შერჩეული ინგლისურ და თურქულ ენებში. საკვლევი პრობლემის ანალიზმა, რომელიც ისტორიულ-შედარებითი და ტიპოლოგიური შესწავლის მეთოდებს ეყრდნობოდა, ცხადჰყო ის დიაქრონიული ცვლილებები, რომლებიც მიმართვის ოფიციალურმა და არაოფიციალურმა ფორმებმა განიცადა. წინამდებარე გამოკვლევა ერთგვარი მცდელობაა ქცევის მოცემულ ფორმათა ენობრივი აქტივობის სხვა უნარებთან ურთიერთდაკავშირების გამოვლინების თვალსაზრისით, რომელიც მკაფიოდ წარმოაჩენს სხვადასხვა კულტურაში ენობრივი ქმედების სხვა ასპექტებსაც.

19. მოხსენებაში მოცემულია დაცემინებასა და ხველასთან დაკავშირებული სამეტყველო ეტიკეტის
ნორმები სხვადასხვა კულტურაში. კვლევამ აჩვენა, რომ ასეთი ეტიკეტი მოიცავს დალოცვებს, რომლებიც უკავშირდება ჯანმრთელობას, ღვთის ნებას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, სიმდიდრეს, სიყვარულს და სურვილების ასრულებას. განხილულია ხველასა და ცემინებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ცრურწმენა. ასევე გამოყოფილია ბავშვებისთვის სათქმელი ფრაზეოლოგიური ერთეულები. პასუხები ხველასა და ცემინებაზე ასევე განხილულია სამეტყველო აქტების თეორიის კუთხით, გამოყოფილია დირექტივები, ბიჰებიტივები და ექსპრესიული სამეტყველო აქტები. ხაზგასმულია, რომ ზემომოყვანილი გამონათქვამები ფატიკური კომუნიკაციის ნიმუშებია.

20. ენა და ნეოლოგიზმები წარმოადგენენ გარკვეული სოციალური და კულტურული ცვლილებების მანიშნებელს და ასახავენ ჩვენს დამოკიდებულებას ტექნოლოგიების მიმართ. ადამიანები სულ უფრო მეტად ხვდებიან, თუ როგორ შეუძლია ინტერნეტს შეცვალოს საზოგადოების ცნობიერება. ინტერნეტის გამოყენებით კი კომპანიებს ეძლევათ ფულის შოვნის უფრო სწრაფი და ეფექტური საშუალება. ნეოლოგიზმების უფრო სიღრმისეულმა კვლევამ კულტურულ ჭრილში შესაძლოა უფრო მეტად გაგვიადვილოს მსოფლიოს აღქმა.

21. ლელა ებრალიძე, კულტურული ფილტრი და მისი გამოყენება თარგმანში

თარგმანი, როგორც სხვადასხვა ენათა და კულტურათა შორის კომუნიკაციის უნივერსალური საშუალება დიდი ხანია იქცა ბევრი მეცნიერის კვლევის ობიექტად. საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა და კვლავ გრძელდება დავა იმის თაობაზე, თუ რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს თარგმანი, მეტადრე კი მხატვრული თარგმანი. ზოგი მკვლევარისა თუ ლიტერატორის აზრით, თარგმანის მთავარი ღირსება მისი სიზუსტე და დედნისადმი ერთგულებაა. არსებობს განსხვავებული თვალსაზრისიც, რომლის მიხედვითაც პირველ ადგილზე თარგმანის მკითხველთა ინტერესები უნდა იდგეს და ყველაზე მნიშვნელოვანი სამიზნე აუდიტორიისათვის მათი ქცევებისა და კულტურულ ნორმებზე მორგებული, ადვილად გასაგები ტექსტის მიწოდებაა.

ჩვენს ნაშრომში განხილული მასალიდან ნათლად ჩანს, რომ ერთი ენიდან მეორეზე თარგმანი ენათშორის კომუნიკაციასთან ერთად კულტურათშორის კომუნიკაციასაც წარმოადგენს და უცხო ენის ცოდნასთან ერთად მნიშვნელოვანია ორივე ენის მატარებელთა კომუნიკაციური ნორმებისა და კულტურული ტრადიციების საფუძვლიანი ცოდნა და მათი ერთმანეთთან შეპირისპირება. ამიტომაც, მთარგმნელისათვის სასურველია კულტურული ფილტრის გამოყენება, რათა თარგმანი სამიზნე მკითხველისათვის გაუგებარი არ დარჩეს.

22. ნანა გუნცაძე. არტურ რემბო, ომის დაწყებისთანავე გულგრილ დამოკიდებულებას იჩენდა მოსახლეობის მღელვარე პატრიოტული სულისკვეთების მიმართ.

როდესაც საფრანგეთ-პრუსიის ომის მიმართ პოეტის დამოკიდებულებაზე ვსაუბრობთ შესაძლოა ვიფიქროთ, რომ მისმიმართ პოეტის რადიკალური პოზიცია გამოწვეულია არა ამ კოკრეტული ფაქტით, არამედ ზოგადად ომის მიმართპოეტისდამოკიდებულებით. ,

უნდა ითქვას, რომ ა. რემბო, როგორც მოქალაქე, არ დარჩენილა გულგრილი მაშინდელი სინამდვილის მიმართ; პოეტმა მწვავედ იგრძნო ის საშინელება, რაც ხალხს

ნაპოლეონ III-ის მიერ დაწყებულმა ომმა მოუტანა და, რომელმაც იმსხვერპლა ათასობით ფრანგი მოქალაქე. A

ამ პერიოდში რემბოს მიერ ომის თემაზე დაწერილი ერთ-ერთი საოცრად შთამბეჭდავი ლექსია`Le დორმეურ დუ ვალ.

რემბო ამ სონეტში, ამ უაღრესად შთამბეჭდავი სურათის ჭვრეტით წარმოგვიდგენს მედიტაციას სამყაროში ადამიანის მდგომარეობაზე;

ამდენად ეს არ არის არც პატრიოტული პოეზია, არც ჰუმანური სურათი, არც ხელოვნება ვიწრო გაგებით , ეს არის მედიტაცია იმაზე თუ როგორ ეჯახება ღრმა და ძირფესვიანი მოძრაობა სოციალური დარტყმებით (ომი) ადამიანს, მის ბუნებას, მის მდგომარეობას.ასეთია რემბოს, როგორც პოეტისა და როგორც მოქალაქის, პოზიცია არა მარტო საფრანგეთ-პრუსიის ომის, არამედ ზოგადად ომის მიმართ

23. ნანა გუნცაძე, 1871 წლის მაისის ე. წ. „ნათელმხილველის „წერილის რევოლუციურ პროგრამაში

ა. რემბო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ნათელმხილველობის ექსპერიმენტს. ამიერიდან რემბოს პიროვნება იძენს თავის ნამდვილ და განსაკუთრებულ მნიშვნელობას. სწორედ ამ დროს იწყება მასში არსებული მეამბოხე სულის სრული გამოვლენა, რასაც პოეტი უკიდურესობამდე მიჰყავს:: იგი უპირისპირდება დედის ავტორიტეტს, საზოგადოებას, სახელმწიფოს, ღმერთს, მღვდლებს, რომლებმაც გააცნეს რელიგია; ნათლობას, რომელმაც იგი ცოდვის პასუხისმგებლად აქცია.

`ჯოჯოხეთის ერთი სეზონი~ ეს არის პოეტის მიერ იმ ჯოჯოხეთის აღწერა, რომელიც მის მიერვე შექმნილი მეთოდის განსახორციელებლად თვითონვე, საკუთარი ნებით მოათავსა თავისი არსებობის გზაზე. თავის სულიერ ავტობიოგრაფიაში ავტორი აღწერს ნათელმხილველობამდე მეთოდის განხორციელების პერიოდში ჩატარებულ ექსპერიმენტებს; გრძნობის აღვირახსნა, სიყვარულის, სიგიჟის მომწამვლელი განცდები და მისგან კვინტესტენციის შენარჩუნება, ორგიები, დებოში, თრობა, ლონდონში გატარებული ექსცესებით სავსე ექსტრავაგანტური ცხოვრება; ყველაფერი ეს მას საკუთარი თავიდან გარეთ გამოაქვს და როგორც მის გარეთ არსებულს ისე უყურებს. ამ ნაწარმოებებში, ავტორი არ ცდილობს, ვინმეს გაუზიაროს თავისი აზრები, მას მხოლოდ მათი გამოხატვა სურს. ნაწარმოებში აღწერილი თავგადასავალი არის ამბოხი ყველაფერი იმის წინააღმდეგ, რისგან განთავისუფლებაც სურდა მას: მისი ამბოხი ატარებს მორალურ, სოციალურ მეტაფიზიკურ ხასიათს. ნაწარმოებში პოეტი აღწერს თავისი თავგადასავლის ეტაპებს და ნათლად გვიჩვენებს თავისი ამბოხის მიზანსაც და მექანიზმსაც.

24. ნინო ქავთარაძე, ჟა კ რუბოს ახალი და კარგად დავიწყებული გროტესკი

უკვე დიდი ხანია მწერლობა პროფესიაა, ხოლო სხვა ხელობის მქონე მწერლები კი – დამკვიდრებული, კეთილი ტრადიცია. სეა ჟაკ რუბოს შემთხვევაშიც: მათემატიკოსი, პოეტი და პროზაიკოსი, ერთი სიტყვით – ულიპოელი. რი აბსტრაქტული ნიშნის მსახური ერთია ნად კომფორტულად გრძნობს თავს დიდების თუ პატარების მწერლობაში, მიზეზი კი – თამ აშია, რომელიც პატარებზე მეტად უფროსებს მოსწონთ და ახალისებთ.

ჟაკ რუბო ულიპოელი 1966 წელს გახდა, როდესაც რაიმონ კენომ მათემატიკური კატეგ ორიებით დაინტერესებული ახალგაზრდა, ფრანგულ ენაზე ლუის კეროლის მთარგმნელი *პო ტენციური ლიტერატურის* (I) ჯგუფს წარუდგინა. დღეს რუბო ახალი ლექსთწყობის – ბაობაბის და ჰაიკუს ავტორია. ეს არცაა გასაკვირი, რადგან საბუნებიმეტყველო მეცნიერე ბები რუბოს ტრუბადურების თუ იაპონური პოეზიით გატაცებაში ხელს არ უშლის.

ხალი პოეტური ფორმების ძიებასა და აქამდე არსებულის სრულყოფასთან ერთად, რ უბოს პროზაული ციკლების შექმნაც ტრადიციად ექცა. მაგალითად, წიგნები მეფე არტურზ ე და მრგვალი მაგიდის რაინდებზე. არდიული რომანების სერიაში („პირმშვენიერი ორტან ზი” (1985), „ორტანზის მოტაცება” (1987), „ორტანზის გადასახლება” (1990)). ლიპოელი და კარტეზიანელი რუბო ჟანრის მკაცრ ჩარჩოებში მოქცეული ფსევდო-დეტექტიური რომანით არღვევს მეუღლის გარდაცვალებით გამოწვეულ ორწლიან დუმილს. Iმ მკითხველს, რომელიც მათემატიკასთან დამეგობრებული არ არის, გაუჭირდება მიჰყვეს მ ეცნიერული კატეგორიებით აწყობილ ნარაციას, თუმცა ესიამოვნება მსუბუქი ირონიის და ბ

რწყივნალე იუმორის დაჭაშნიკება. შწორედ ასე ნიღბავს რუბო თავის ფილოსოფიურ შეხედ ულებებს თანამედროვე სამყაროსა და ყოფაზე. ამ რომანი-
დიალოგების ავტორი სავარაუდო ადრესატს, იდეალურ რეციპიენტს თუ ნარატერს გასახალ ისებლად იწვევს, ხოლო პოლდევიის სამეფოში გათამაშებული სერიულ ქურდობებში გარკვ ევას გაზულუქებულ კატას, ალექსანდრ ვლადიმიროვიჩს ანდობს, სამყაროს მედიდურად რო მ დაჰყურებს.

გროტესკი და მათემატიკური სიზუსტით გათვლილი ლიტერატურული თამაში რუბოს მრავალწახნაგოვანი შემოქმედების საფუძველი ხდება. მისი თავშეკავებული ევროპული ი უმორით გაჯერებული ექსპერიმენტული რომანები მხატვრული ფიქციის ჩარჩოების გარღვევ ის კიდევ ერთი ნიმუშია, ამიტომ ძნელია არ დაეთანხმო ჟაკ რუბოს, რომელიც თავს პრე-პოსტმოდერნისტს, მათემატიკის და პოეზიის კომპოზიტორს უწოდებს.

25. ნინო ქავთარაძე, სამყაროს უელბეკისეული დასასრული

ერთ კუნძულზე წარმოქმნილ ორ ცივილიზაციას მსოფლმხედველობით, მიზნებით, დისკურსით, დროის აღქმით განსვავებულს, მაგრამ საერთო საწუხარით გაერთიანებულს - მარტოობის გაუსაძლისი შიშით შეპყრობილ ადამიანთა და ნეო-ადამიანთა სამყაროს აღწერს მიშელ უელბეკი თავის წიგნში „კუნძულის შესაძლებლობა''.

კუნძულ რეუნიონზე დაბადებული ფრანგი მწერლის რომანში, რომელსაც გამოცემისთანავე გონკურებს უქადდა კრიტიკაცა და ავტორიც[1], მკითხველს კიდევ ერთხელ მიეცა შესაძლებლობა დარწმუნებულიყო იმაში, რომ მზიქვეშეთში არაფერია ახალი; და სანამ ხსოვნა შემორჩა „ვინც წინათ იყო და მომდევნოთაც'', უელბეკს სურს დაგვაფიქროს, რომ მხოლოდ შიშში შეიმეცნება თავისუფლება, სიყვარულის წამიერ გრძნობაში – მარადისობა. სწორედ ამიტომ უბრუნდება ფრანგი მწერალი თავის მუდმივ საწუხარს და ამჯერად ფანტასტიკის დაბურველში ახვევს კლონების მიამიტურ, სევდანარევ ადფრთოვანებას, ხან კი ინსტინქტებს დამონებული, გადაღლილი ადამიანის ცინიზმამდე დაყვანილ აღსარებას.

26 . ყველასათვის ცნობილია, რომ დიაქრონიულ კვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა თანხმოვნებთან ენიჭება, რადგან სწორედ კონსონანტები და კონსონანტური კომპლექსები წარმოადგენენ სიტყვის ხერხემალს, რაც არის საწინდარი იმისა, რომ საუკუნეების შემდეგ შევძლოთ სიტყვის ეტიმონის პოვნა და მისი ევოლუციის სრული სურათის აღდგენა. თანხმოვანთა კომპლექსების დიაქრონიული კვლევა ჩავატარეთ გარსია დე დიეგოს, გომეს დე სილვას და კორომინასის ეტიმოლოგიური ლექსიკონების მონაცემებზე დაყრდნობით. ნაშრომში გამოყენებული გვაქვს ესპანეთის სამეფო აკადემიის მონაცემებიც. დიაქრონიული კვლევის დროს შევისწავლეთ როგორც თავკიდური, ისე შუალედური თანხმოვანთჯგუფები და დავადგინეთ, თუ რომელი ფონეტიკური ტრანსფორმაციები იყო დამახასიათებელი ამა თუ იმ კომბინაციისათვის.

27. მეტაფორის საშუალებით შესაძლებელია ადამიანური აზროვნების ზოგად კანონზომიერებათა სფეროში შეღწევა და მოცემული ენის მატარებელთა ტიპური ასოციაციების გამოვლენა. ემპირიული მასალის კვლევის შედეგად გამოვყავით სხვადასხვა ცნებებთან დაკავშირებული, ფრანგულ და ესპანურ ემოციურ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შემადგენელი მეტაფორები, რომლებიც ემოციურ ფრაზეოლოგიზმთა ექსპრესულ-ემოციურ მარკერებად გვევლინებიან.

28.. თამაში სწავლების ერთ-ერთ ტექნიკას წარმოადგენდა საუკუნეების მანძილზე, თუმცა ბოლო ხანებში უამრავ დიდაქტიკურ ნაშრომში გამახვილებულია ყურადღება უცხოური ენების სწავლების დროს სწორედ თამაშის ტექნიკაზე. ჭინამდებარე სტატია მიზნად ისახავს

გამოყოს თამაში, როგორც უცხოური ენის სწავლების ერთ-ერთი ეფექტური საშუალება, რომელიც შეიძლება სამ ძირითად ნაწილად დავყოთ: თამაში, დიდაქტიკური მასალა და ტექნიკური ჯგუფი. ეორე მხრივ ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თამაშისა და ახალი ტექნოლოგიების გამოყენება უცხოური ენის სწავლებისთვისა და მეტი შედეგიანობისათვის.

მ წლების განმავლობაში ახალი თეორიების განვითრებამ (ლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა და სხვ.) ცხადჰყო მათი შესაძლო გამოყენება, მათი პრაქტიკული ეფექტურობა და თეორიული მიდგომა, როდესაც საქმე ეხება სწავლებას და იმ რეალურ პრობლემებს, რომლებიც ჩნდება უცხოური ენის სწავლების დროს აუდიტორიაში.

ცხოური ენის სწავლების შემთხვევაში დიდი ხნის განმავლობაში, და ეხლაც მათ შორის, მიმართავდნენ სწავლების ტრადიციულ მეთოდოლოგიას, რომელიც ეფუძნებოდა გრამატიკის სწავლებასა და თარგმანს; ამასთანავე არსებობდა კიდევ ერთი დამოკიდებულება სწავლების მეთოდოლოგიისადმი სხვა ენებში, როგორიც იყო სტრუქტურული მეთოდი, ასევე კომუნიკაციური მიდგომა, განსაკუთრებით კი ინგლისური ენის სწავლების შემთხვევაში.

29. სალომე კენჭოშვილი, "კარნავალიზებული ლიტერატურის კომპონენტები გაბრიელე დ'ანუნციოს ნოველებში".

ნაშრომში ყურადღება ეთმობა კარნავალიზებული ლიტერატურის, კერძოდ რაბლედან, ბოკაჩოდან და ფოლკლორიდან მომდინარე ისეთ კომპონენტებს, როგორებიცაა სადღესასწაულო-საზეიმო სიცილი, პერსონაჟთა ექსცენტრიული ქცევა და გროტესკული რეალიზმის ელემენტები გაბრიელე დ'ანუნციოს ნოველებში ("ტურლენდანას დაბრუნება", "ტურლენდანას სიმთვრალე", "ჯადოქრობა" და "ბრძოლა ხიდისთვის"), რომლებიც წარმოდგენილია კრებულში "პესკარას ნოველები". აღნიშნულია აგრეთვე ის გარემოება, რომ კარნავალიზებული ლიტერატურის კომპონენტებს დ'ანუნციოს ნოველების მკაცრ და დაღვრემილ გარემოში გარკვეული სილაღის განწყობა სემოაქვთ.

30. წინამდებარე ნაშრომში განხილულია ინტერნაციონალიზაციის არსი და მნიშვნელობა უცხოურ ენათა ფილოლოგიის დარგობრივ სწავლებაში, რაც უწინარეს ყოვლისა გარდა სპეციალური დარგობრივი კომპეტენციების განვითარებისა თავის მხრივ გულისხმობს კულტურათა დიალოგის საფუძველზე უცხოური კულტურის გაცნობიერებას, შესწავლას და კულტურათა სპეციფიკის ფოკუსიდან ტექსტზე დაფუძნებული ფილოლოგიური სწავლებისა და კვლევების განვითარებას.

ანალიზი ეფუძნება ქართულ სივრცეში არსებული უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის აკრედიტირებული აკადემიური პროგრამების მიმოხილვას, მოხმობილია საერთაშორისო სტანდარტების მონაცემები და ფილოლოგიური შტუდიების თანამედროვე მნიშვნელოვანი მიმართულებები.

31. ბუნებრივი ტექსტები მრავალ ენაში ანოტირებულია ლინგვისტური ინფორმაციით. ხეების ბანკი წარმოდგენს ტექსტების კორპუსს, რომელშიც ყოველი წინადადება ანოტირებულია სინტაქსური სტრუქტურის მიხედვით. ანოტირებული კორპუსებისა და ხეების ბანკის აგებამ განაპირობა გრამატიკისა და ლექსიკონის გაუმჯობესება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე კომპიუტერული რესურსების მქონე ენებისათვის.

სტატიაში წარმოდგენილია ჩვენი მცდელობა გერმანულ-ქართული, გერმანულ-რუსული, გერმანულ-უკრაინული და ქართულ-უკრაინული სინტაქსურად ანოტირებული პარალელური ხეების ბანკის შესაქმნელად.

32. სტატიაში წარმოდგენილია ახალი ტენდენციები გერმანიის უნივერსიტეტებში ჰუმანიტარულ მეცნიერებების, კეროდ კი, ენის სპეციალობებზე ინტერდისციპლინური პროგრამების შექმნის მიმართებით. თანამედორვე სამყაროს «ინფომატიზაცია» ჰუმანიტარულ მეცნიერებებსაც შესაბამის მოთხოვნებს უყენებს. მოხსენაბში გაანალიზებულია გერმანულ უნივერისტეტებში შემოთავაზებული ინტერდისციპლინური საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები, განხილულია ამ კუთხით საქართველოში ჰუმანიტარულ, კერძოდ, ფილოლოგიების მიმართულებით არსებული მდგომარეობა, რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას საქართველოში ფილოლოგიის დისციპლინაში ტექნოლოგიური მეთოდების სწავლებისა და გამოყენების მიმართებით.

33. გერმანულენოვანი მულტიკულტურული ლიტერატურა ერთი მხრივ ხასიათდება კულტურული პოლიფონიით, ეთნოკულტურული ტრადიციებისა და იდენტობის შენარჩუნების სურვილით, მეორე მხრივ კი იგი ასრულებს ერთგვარი „მრუდე სარკის“ როლს. ამ სარკეში გერმანულმა საზოგადოებამ უნდა დაინახოს საკუთარი ანთროპოლოგიური დეფიციტები, რომელიც კონფრონტაციაშია სხვა კულტურის წარმომადგენელთა ქცევის ნორმებთან. მულტიკულტურული ლიტერატურის არაგერმანელი ავტორები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ კულტურული იდენტობის საკითხზე, რომლის უმთავრესი მარკერებია: ენა, რელიგია და საერთო კულტურული და ტერიტორიული მემკვიდრეობა. გერმანულ ენას ისინი იყენებენ „საკუთარი“ და „უცხო“ სამყაროთა (მუსლიმური და ქრისტიანული) შუაში მოქცეული ტრანსკულტურული სივრცის რეფლექსიისა და ამ სივრცეში საკუთარი ადგილის შემეცნებისათვის. ავტორთა უმეტესობისათვის გერმანული ენა ექსპერიმენტის ობიექტია. ენობრივი მასალით მანიპულაცია ემსახურება ნათქვამის ორაზროვან გაგებას, პერსონაჟის მეტყველების დახასიათებას, იუმორისტული ან გაუცხოების ეფექტის შექმნას.
34. სტატია არის ქართული ლიტერატურული მოდერნიზმის სოციოკულტურული თვალსაზრისით ანალიზის ცდა; ხაზგასმულია მისი დამსახურება დასავლეთზე კულტურული და ლიტერატურული ორიენტაციის თვალსაზრისით.
35. სტატიაში გაანალიზებული და გადმოცემულია შექსპირის შემოქმედების რეცეფციის დინამიკა და პოეტოლოგიური მოტივები გერმანულ რომანტიზმში, რაც გადმოცემულია რომანტიკოსთა კონკრეტული ტექსტების (ნოვალისის დღიურები, ფრ. შლეგელის ათენეუმის ფრაგმენტები, ლ. ტიკის ესსე შექსპირზე) საფუძველზე.
36. სტატიაში მიმოხილულია ჰუბერტ ქაუფჰოლდის ქართველოლოგიური შრომები, მისი ვიზიტები საქართველოში, მონაწილეობა კონფერენციებში, ურთიერთობა ქართველ მეცნიერებთან.
37. აღწერილია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული გერმანულენოვანი ხელნაწრები და მოცემულია მათი მოკლე დახასიათება

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მაია გურგენიძე, კევინ მაკნიკოლას	Guide to Country Studies, წიგნი 1	დიდი ბრიტანეთი	83

2	მაია გურგენიძე, კევინ მაკნიკოლას	Guide to Country Studies, წიგნი 2	დიდი ბრიტანეთი	83
3				

ანოტაციები ქართულ ენაზე

სახელმძღვანელო მკითხველს აცნობს ოთხი ქვეყნის, საქართველოს, დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ავსტალიის, ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევებს ისტორიის, ეკონომიკისა და კულტურის დარგებში. სახელმძღვანელო შექმნილია ინტეგრირებული უნარებისა და სპეციალურად შერჩეული თემატიკის გათვალისწინებით, როგორებიცაა მეცნიერება და ისტორია, გეოგრაფია, ხელოვნება და ეკონომიკა.

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მაია გურგენიძე	Journal of Literature and Art Studies, Volume 5, Number 9, ISSN 2159-5836	ამერიკის შეერთებული შტატები	
2				
3				

ანოტაციები ქართულ ენაზე

ნასესხები სიტყვების აღქმა და გამოყენება ბრიტანულ, ამერიკულ და ქართულ მედია დისკურსში, კერძოდ კი, ონლაინ გაზეთებსა და ჟურნალებში, დაფუძნებულია ენის ფუნდამენტალურ განვითარებასა და ნასესხები სიტყვების სიმდიდრესა და საჭიროებაზე. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ჟურნალები შექმნილია მკითხველისთვის სხვადასხვა იდეოლოგიის მისაწოდებლად, ლინგვისტების აზრით, ნასესხები სიტყვების გამოყენება მკითხველს საშუალებას აძლევს მიწოდებული იდეებიის გაგებასა და გააზრებაში. ინგლისური ნასესხები სიტყვები არ წარმოადგენენ მხოლოდ კულტურათ შორის განსხვავებისა და გლობალური კომუნიკაციის იარაღს, ისინი ასრულებენ ხიდის როლს, რომლის საშუალებითაც ენებს შორის არსებული კონცეპტუალური სიცარიელე ივსება. მხოლოდ ლინგვისტების პროფესია აღარ არის საკმარისი, ბევრი სხვა გზა არსებობს, რომლის საშუალებითაც ადამიანებს კონკრეტულ ქვეყნებში შეუძლიათ გაიგონ ნასესხები სიტყვები (მაგ. სოციალური მედია). ამას გარდა, ნასესხები სიტყვები გვეხმარება ენის გამდიდრებაში და გვთავაზობს მუდმივად განახლებულ ინფორმაცია ენის შესახებ.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Manana Rusieshvili_	Ekphrasis and its Multifaceted	vol. 13, issue. 3,	აშშ, CG Publisher, USA www.CommonGround	8

	Cartledge and Rusudan Dolidze	Nature: Ways of its usage in Literature and Cinematography: . The International Journal of Literary Humanities.,		Publishing.com	
2	Manana Rusieshvili_ Cartledge and Rusudan Dolidze	(Im)politeness: norm and context The Bulletin Suisse de., Linguistique Appliqu¸e	Vol 2, 2015	შვეიცარია, შვეიცარიის გამოყენებითი ლინგვისტიკის ასოციაცია.	12
3	Manana Rusieshvili and Ilona Kenkadze	*The Problems of Ironic Speech Acts Interpretation* Official Conference Proceedings: I European Conference on Language Learning 2015	The International Academic Forum (IAFOR) Sakae 1-16-26-201	The International Academic Forum 2015 Naka Ward, Nagoya, Aichi Japan 460-0008 ww.iafor.org	13
4.	T. Margalitadze	'Lexicography of Georgian'	წიგნში: 'International Handbook of Modern Lexis and Lexicography'	Springer Publishing	იბეჭდება
5.	Manana Gelashvili	Time and Space in *The Manager*.	Managing The Manager: Criticl Essays	Cambridge, UK	იბეჭდება
6	Manana Gelashvili	Faulkner's Characters and Problem of Time	International Journal of American Studies	Cambridge Scholars, Cambridge	იბეჭდება
7	Gia Koparadze	Formation of Speech Sounds in Infants *Collected Papers of the International Conference*		Prague, Czech Republic Institute of Phonetics Faculty of Arts, Charles University in Prague, http://fu.ff.cuni.cz/epip4/	4
8	ირინა გველესიანი	**გერმანული Treuhand-ი ავსტრიული Treuhand - ის პირისპირ (ტერმინოლოგიური კვლევა);** ევროპის სამეცნიერო ჟურნალი	აპრილის სპეციალური გამოცემა	http://www.eujournal.org/index.php/esj/article/view/5511/5301	6
9	ირინა გველესიანი	**ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა ქართველი სტუდენტების ლინგვისტური**	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები.	კიევი, უკრაინა, KHEУ, http://ir.kneu.edu.ua:8080/bitstream/2010/8353/1/Konfer.pdf	5

		კომპეტენციის ფორმირებაზე; "ლინგვისტურ-კულტურული დისკურსი პროფესიულად ორიენტირებული განათლების პარადიგმაში", საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები.			
10	დარეჯან თვალთვაძე, ირინა გველესიანი	**გლობალიზაცია და მისი როლი პოსტ-საბჭოთა უმაღლესი სასწავლებლების განვითარებაში (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე);** „საზოგადოება, ინტეგრაცია, განათლება“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები	ტომი 1	რეზეკნეს აუგსტსკოლა, ლატვია.	8
11	ირინა გველესიანი	**”საკუთრების მინდობის” წარმოშობის ინტერპრეტაცია სიღრმისეული ტერმინოლოგიური ანალიზის საფუძველზე;** FIAT IUSTITIA		ქლუჯ-ნაპოკა, რუმინეთი	6
12	ირინა გველესიანი	ევროკავშირის პოლიტიკა საკუთრების მინდობის მსგავსი მექანიზმების განვითარებასთან მიმართებაში - ბოლოდროინდელი გამოწვევები, მიღწევები, პერსპექტივები და ტერმინოლოგიური ანალიზი;	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები.	იაში, რუმინეთი	იბეჭდება
13	მაია გურგენიძე	The Transformation of Neologisms in Language and Culture, Discource, Communication and the Enterprise VIII-	VIII conference Proceedings	ნეაპოლი, იტალია	5

		DICOEN VIII, Department of Economics and Statistics of the University of Naples, Italy,			
14	მაია გურგენიძე	International Conference on Literature and Linguistics, IEDRC Paris	XVIII Conference proceedings	პარიზი, საფრანგეთი	5
15	მაია გურგენიძე	International Conference on Literature and Linguistics, Language Use in Micro Blogging Social Network Site	Conference proceedings	მოსკოვი	4
16	ნინო ქავთარაძე	The problem of identity and Amin Maalouf's historical fiction		კემბრიჯი,	იბეჭდება 4 გვ.
17	**Marina Andrazashvili**	Strukturtypen deutschsprachiger Toponyme hinsichtlich ihres Übertragungspotenzials	Language and its Study between Tradition and Innovation. Proceedings of the 45th Linguistics Colloquium, Veszprem 2010. Toth, Jozsef (eds.). Linguistiks International, 34. Weber, H. / Beckmann, S. / Kürschner, W. ISSN 1436-6150; ISBN 978-3-631-65178-0.	Frankfurt/Main, Berlin, Bern, Bruxelles, New York, Oxford, Warszawa, Wien (2015): Peter Lang GmbH – Internationaler Verlag der Wissenschaften.	S. 51–58
18	Марина Андразашвили (соавтор Наталия Басилая):	Обучение параллельным русским и немецким вопросительно-апеллятивным языковым средствам в условиях многоязычия.	Материалы XIII Конгресса Мапрял „Русский язык и литература в пространстве мировой кулътуры“, 13–20 сентября 2015 г. в г. Гранада (Испания), Ред. кол.: Л. А. Вербицкая, К. А. Рогова, Т. И.	г. Гранада, Испания	стр. 36–41

			Попова и др. Том 11, ISBN 978-5-9906635-0-3 (серия).		
19	Sophie Mujiri	Zur prosodischen Reflektierung der Informationsstruktur des Textes.	Der Internationale Deutschlehrerverband. Materialien der XV. IDT.	Bozen. IDV. 2015/2016	30 გვ. გადაცემ ულია დასაბეჭდად
20	Sophie Mujiri	Kontrastive und linguodidaktische Aspekte des Lauterwerbs in der mehrsprachigen Konsellation.	Germanistik in der Ukraine. Jahrheft 9.	2014/2015. Kiev.	12 გვ. (გვ. 270-282).
21	С. А. Муджири, И. Б. Капанадзе	Изменение идиоматического образа под влиянием рекламного рисунка.	ŽMOGUS KALBOS ERDVĖJE Nr. 8 MOKSLINIŲ STRAIPSNIŲ TĘSTINIS LEIDINYS Leidžia Vilniaus universiteto Kauno	Vilniaus universiteto 2015. Kaunas.	9 გვ. (გვ. 127-136)
22	С. А. Муджири, И. Б. Капанадзе	Некоторые особенности консонантизма в условиях учебного трилингвизма	Материалы международной научно-практической конференции: «Контрастивные исследования и прикладная лингвистика».	Издательство Минского гос. Лингвистического Университета. 2015. Минск.	4 გადაცემ ულია დასაბეჭდად
23	С. А. Муджири, И. Б. Капанадзе	Интерлингвальная и интердисциплинарная подготовка студентов с применением новых технологий	«Русский язык в иностранной аудитории – теория, практика, цели и результаты преподавания»	Издательство Лодзинского университета Лодзь 2015, Польша	5 გვ. (გვ. 398-403).
24	С. А. Муджири, И. Б. Капанадзе	Контрастивное исследование акцентирования одноударных слов в грузинском, немецком и русском языках	МАТЕРИАЛЫ XIII КОНГРЕССА МАПРЯЛ (в Гранаде, Испания, 13-20 сентября 2015 г.) В 15 томах,Том 11 НАПРАВЛЕНИЕ 10 Сопоставительное изучение русского и других языков: лингвистический и методический	Гранада/ Санкт-Петербург 2015.	5 გვ. (გვ. 192-197).

			аспекты		
25	Sophio Mujiri,	Plurilingual phonetics for Professional Competence Formation.https://c-linkage.com/abs/iccees2015/program/program2.php V-1-19 Language Pedagogy	IX ICCEES World Congress	IX ICCEES World Congress 3-8 August, 2015. Makuhari, Japan	16 გადაცემულია დასაბეჭდად
26	Sophio Mujiri,	THE MISSION OF THE MULTICULTURAL LITERATURE IN PROTECTING AND PRESERVING CULTURAL VERSATILITY	International Conference at Aoyama Gakuin University, 4 August, 2015 Central Asia and the Central Eurasia,Today and future-the role of Japan	Aoyama gakuin University, Tokio, Japan, 2015.	6 გვ. გადაცემულია დასაბეჭდად

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. M. Rusieshvili-Cartledge, R.Dolidze

Ekphrasis and its Multifaceted Nature: Ways of its usage in Literature and Cinematography

ექფრაზა და მისი მრავალსახოვნება: ექფრაზის ლიტერატურასა და კინემატოგრაფიაში აქტუალიზაციის გზები

ტრადიციულად ტერმინი *ექფრაზა* გამოიყენებოდა, როგორც ვიზუალურის ვერბალიზაცია. შემდგომმა კვლვამ გვიჩვენა, რომ ექფრაზა რთული ფენომენია და არ ექვემდებარება მხოლოდ 'ვიზუალურის ვერბალურ რეპრეზენტაციას ((*Heffernan 1993),* არამედ შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე სემიოტიკურ სისტემას და მოგვევლინოს მრავალი კონფიგურაციით. შესაბამისად, რადგანაც ექფრაზა გვევლინება ინტერსემიოტიკური ფენომენად, იგი შეიძლება აქტუალიზდეს არა მხოლოდ მხატვრობაში, მუსიკასა და არქიტექტურაში, არამედ ისეთ "არაკანონიკურ ხელონების ფორმებში, როგორიცაა ტელევიზია, ფოტოგრაფია, კომიქსები და სინემატოგრაფია"*(Persin 1997')*. მის'გათვალისწინებით, ეს სტატია ეხება ექფრაზის ინტერსემიოტიკური'აქტუალიზაციის საკითხებს. ფრო კონკრეტულად, იგი (1) თავიდან მოიაზრებს ექფრაზის გავრცელების ფარგლებს და, ვერბალურ ტექსტში აღწერილი რამდენიმე სემიოტიკური სისტემის გასაყარზე შექმნილი კონკრეტული ვიზუალური ხელოვნების ნიმუშის ასახვის ხარისხსა და ტიპზე დაყრდნობით გვთავაზობს ექფრაზული ჩანართის სამ სახეობას: ექფრაზული აღწერა, ექფრაზული ალუზია და ექფრაზული შედარება; (2) განიხილავს, თუ როგორ აღიქმება ლიტერატურული/კინემატოგრაფიული ექფრაზა მკითხველის/მაყურებლის მიერ.

2. Manana Rusieshvili and Rusudan Dolidze

(Im)politeness: norm and context*

(არა) თავაზიანობა: ნორმა და კონტექსტი

სტატია ეხება საზოგადოებაში მიღებული თავაზიანობის ნორმის კონტექსტუალურ ცვლილებებს პოლიტიკური დისკურსის, კერძოდ, ქართული პოლიტიკური დებატების მაგალითზე. გამოყოფილია ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური დისკურსის სტრატეგიები, რომლებიც იხმარება ქართველი პოლიტიკოსების მიერ პოტენციური ამომრჩევლის დასარწმუნებლად.

* სტატია დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე გერმანული თეზისებით

3. ირონიული სამეტყველო აქტის ინტერპრეტაციის პრობლემები

სტატია ეძღვნება ირონიის ინტერპრეტაციის პრობლემატიკას სამეტყველო აქტების თეორიის შუქზე. იგი მიმოიხილავს ირონიის როგორც ფორმის, მნიშვნელობისა და კონტექსტის ერთიანობის შესახებ თანამედროვე აქტუალურ თეორიებს. სტატიაში ირონიის სემანტიკური მოდელი განხილულია როგორც სამი დონის (ექსპლიციტური, იმპლიციტური და ფონური ცოდნის) სინთეზი. პირველ დონეზე ფიქსირდება კონკრეტული პროპოზიცია, სიღრმისეულ, იმპლიციტურ დონეზე ხდება კონტექსტური პარამეტრებისა და ფონური ცოდნის დონის დაკავშირება.

.

4. სტატია მომზადდა Springer Publishing-ის დაკვეთით (იხ. წიგნის სარჩევი პირველ დანართზე). წიგნის სახელწოდებაა „თანამედროვე ლექსიკისა და ლექსიკოგრაფიის საერთაშორისო სახელმძღვანელო“, მისი რედაქტორები არიან: პროფესორები პატრიკ ჰენკსი (დიდი ბრიტანეთი) და ჟილ-მორის დე სხრეივერი (ნიდერლანდები). ნარკვევი ქართული ლექსიკოგრაფიის შესახებ მომზადდა რედაქტორების მიერ შემოთავაზებული გეგმით, კერძოდ: სტატიის დასაწყისში მოცემულია ინფორმაცია ქართული ენის შესახებ, განხილულია ლემატიზაციის საკითხები ქართულ ლექსიკონებში, წარმოდგენილია ქართული ლექსიკოგრაფიის მოკლე ისტორია, მიმოხილულია მნიშვნელოვანი ლექსიკოგრაფიული ნაწარმოებები და ლექსიკოგრაფები, გაანალიზებულია ქართული ენისათვის შექმნილი ელექტრონული რესურსები, ელექტრონული ლექსიკოგრაფიის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა და სხვა საკითხები.

5. მანანა გელაშვილი, დრო და სივრცე პოემაში „მენეჯერი”.

სტატია იკვლევს დროისა და სივრცის მოდელირებას XX საუკუნის მეორე ნახევრის კემბრიჯელი პოეტის რიჩარდ ბერენგარტენის პოემაში „მენეჯერი”. ნაშრომში ეს პრობლემა განხილულია პოსტმოდერნისტული პოეტიკის ჭრილში. ანალიზებულია ის არსებითი განსხვავება, რაც პოსტმოერნისტულ ქრონოტიპს მოდერნისტულ ქრონოტოპისგან განასხვავებს, აგრეთვე ის მნიშვნელოვანი მომენტები, რაც პოსტმოერნიზმმა მოდერნიზმისგან მიიღო დროისა და სივრცის მოერლირებაში.

6. მანანა გელშვილი, ფოლკნერის პერსონაჟები და დროის პრობლემა

სტატიის მიზანია შეისწავლოს უილიამ ფოლკნერისეული დროის აღქმა, კერძოდ მისი პერონაჟების დამოკიდებულება დროის პრობლემისადმი და გაანალიზოს თუ რაოდენ მნიშვნელოვანია დრო პერსონაჟისა და მთელი რომანის შესწავლის კუთხით.

„წარსული არასდროს არის მკვდარი. ის წარსულიც კი არ არის” - ეს მრავალჯერ ციტირებული ფრაზა, ძალიან კარგად აჯამებს ფოლკნერისეულ დამოკიდებულებას დროისადმი, სადაც წარსულის ზეგავლენა მძიმე ტვირთად აწევთ პერსონაჟებს და ეს ასახვას სხვადასხვა კუთხით პოულობს. ფოლკნერის თითქმის ყველა პერსონაჟი შეპყრობილია დროის პრობლემით და მათი უმეტესობა დროსთან კონფლიქტში მოდის. დროის მათეული აღქმის მიხედვით ფოლკნერის პერსონაჟები რამოდენიმე კატეგორიად შეგვიძლია დავყოთ.

7. გიორგი ყუფარაძე

სამეტყველო ბეგერების ჩამოყალიბება ბავშვებში

/ინგლისური და ქართული ენების მასალაზე/

ბავშვები, როგორც წესი, ენისა და მეტყველების დაუფლების უნარით იბადებიან, მაგრამ ამავდროულად, ენის დაუფლების ჩვევას ისინი მოსმენით, მათ ირგვლივ არსებულ

ენისა თუ ენათა წიაღში არსებულ სიტყვათა აღქმითა და გამეორებითაც ახორციელებენ. ყველა ბავშვი ენას მსგავსი თანამიმდევრობით ეუფლება. მხოლოდ დროის ფაქტორი შეიძლება იყოს განსხვავებული ენათა მიხედვით. დაბადების მომენტიდანვე ახალშობილი აქტიურად იყენებს ყვირილსა და მიმიკას საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით. მას ძალუძს მშობელი დედის ხმა სხვათა ხმათაგან განასხვაოს(ბერგერი, 2000). თუმცაღა მეტყველების დაუფლებისაკენ სვლა და ენის გამოყენება გარკვეული ინტერვალებით წარმოჩინდება.

როგორ ხსნიან თეორეტიკოსები ენობრივი განვითარების პროცესს. სამი მნიშვნელოვანი თეორიის საფუძველზე შეგვიძლია ვიქონიოთ წარმოდგენა თუ როგორ ვითარდება ენა.

წარმოდგენილი ნაშრომი ახალშობილებში სამეტყველო ბგერების ჩამოყალიბება-ფორმირების კონტრასტულ კვლევას ეხება. საკვლევი მასალა ორი ენის (ქართული და ინგლისური) მკვეთრად განსხვავებულ ლექსიკურ ინვენტარსა და სტრუქტურულ ჩარჩოს გულისხმობს. ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ბავშვები, ადრეულ ასაკში, ბგერათა გაცილებით მეტ რაოდენობას ფლობენ სხვადასხვა სახის კონკრეტული თუ წარმოსახვითი რეფერენციების გამოსახატად.

8. ირინა გველესიანი , გერმანული Treuhand-ი ავსტრიული Treuhand - ის პირისპირ (ტერმინოლოგიური კვლევა)

საკუთრების მინდობა» ინგლისურ-ამერიკული სამართლის სისტემისთვის დამახასიათებელი ინსტიტუტია. დღესდღეობით, იგი სხვადასხვა მოდიფიკაციით მკვიდრდება კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემაშიც. ნაშრომში წარმოდგენილია „საკუთრების მინდობის მსგავსი» ინსტიტუტი (***Treuhand***-ი), რომელიც დამკვიდრებულია გერმანიისა და ავსტრიის სამართლის სისტემებში. ამასთანავე, შესწავლილია ***Treuhand***-თან დაკავშირებული ტერმინოლოგიური ერთეულები გერმანიისა და ავსტრიის კანონმდებლობათა შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე.

9. ირინა გველესიანი , ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა ქართველი სტუდენტების ლინგვისტური კომპეტენციის ფორმირებაზე

”გლობალიზაცია, როგორც უნივერსალური ურთიერთკავშირებისაკენ მიმართული მოძრაობა, ეფუძნება საკომუნიკაციო საშუალებებს” (ალავერდიევი, 2013). ენა საკომუნიკაციო პროცესების წარმმართველი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. წინამდებარე ნაშრომში განხილულია ეხება უცხო ენების სწავლების ეფექტური მეთოდები და მათი დანერგვის მექანიზმები.

10. ირინა გველესიანი, დარეჯან თვალთვაძე, გლობალიზაცია და მისი როლი პოსტ-საბჭოთა უმაღლესი სასწავლებლების განვითარებაში

(ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე)

წინამდებარე ნაშრომში განხილულია გლობალიზაციის პროცესები და მათი გავლენა პოსტ-საბჭოთა საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარებაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე ინოვაციური პროცესების მაგალითზე. წარმოდგენილია შემდეგი ძირითადი მიმართულებები: ***ინტერნაციონალიზაცია*** - უცხოური ცენტრების გახსნა, ერთობლივი პროექტებისა და გაცვლითი პროგრამების განხორციელება, საერთაშორისო საზაფხულო და ზამთრის სკოლების ორგანიზება; ***მოდერნიზაცია*** - 4-საფეხურიანი სწავლების სისტემის დანერგვა; ენციკლოპედიური ლექსიკონის შედგენა; ფაკულტეტების რესტრუქტურიზაცია და სხვა. აღნიშნული სტრატეგიების დანერგვა ქმნის სამაგალითო მოდელის იმ პოსტ-საბჭოთა უნივერსიტეტებისათვის, რომელთა ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ევროპის ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში

ინტეგრაცია.

11. ირინა გველესიანი, "საკუთრების მინდობის" წარმოშობის ინტერპრეტაცია სიღრმისეული ტერმინოლოგიური ანალიზის საფუძველზე

ტრასტის ინსტიტუტი კლასიკური ფორმით ჩამოყალიბდა XIV საუკუნეში, როგორც სამართლიანობის სამართლის (law of equity) ნაწილი. თუმცა, თავდაპირველად, საკუთრების მინდობის კონსტრუქციის მსგავსი ურთიერთობები ეგვიპტესა და იაპონიაში (ძვ.წ. 500 წ.) წარმოიშვა, მოგვიანებით კი (I-III სს.) რომის სამართალში ფიდუციური ურთიერთობების სახით ჩამოყალიბდა. წინამდებარე ნაშრომში შესწავლილია "საკუთრების მინდობის" ინსტიტუტის წარმოშობის საკითხი ამ ინსტიტუტთან დაკავშირებული ტერმინოლოგიური ერთეულების სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე.

12. ირინა გველესიანი, ევროკავშირის პოლიტიკა "საკუთრების მინდობის მსგავსი" მექანიზმების განვითარებასთან მიმართებაში - ბოლოდროინდელი გამოწვევები, მიღწევები, პერსპექტივები და ტერმინოლოგიური ანალიზი

სადღეისოდ "საკუთრების მინდობის" ინსტიტუტი ახასიათებს არა მარტო საერთო სამართლის კანონმდებლობას, არამედ სხვადასხვა მოდიფიკაციით მკვიდრდება კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის მქონე ქვეყნების კანონმდებლობებშიც. დამკვიდრების პროცესი საკმაოდ რთული და ეტაპობრივია. წინამდებარე სტატიაში განხილულია დამკვიდრების პროცესის მიღწევები და გამოწვევები გერმანიის სამართლებრივ-ეკონომიკური სისტემის მაგალითზე. შესწავლილია ახლად-აღმოცენებული "საკუთრების მინდობის მსგავსი მექანიზმების" აღმნიშვნელი ტერმინოლოგიური ერთეულები და მათი შესაბამისობა უცხოენოვან ეკვივალენტებთან.

13. მედია არხებიდან მიღებულმა მრავალფეროვანმა ინფორმაციამ შეცვალა ტექნოლოგიები. ეს არხები თანამედროვე ადამიანებს საშუალებას აძლევს წამიერად შეისრუტონ გლობარული ინფორმაცია. მედია არხები გვაწვდიან ახალ ამბებს, გასართობ პროგრამებსა და განათლებას. აღსანიშნავია, რომ ინფორმაცია, რომელსაც საზოგადოება მოიხმარს მას–მედიის საშუალებით, ძალიან ძლიერია. ფაქტობრივად, მას აქვს ძალა შეცვალოს არსებული რეალობა და დამოკიდებულება. უმრავლეს შემთხვევაში, კულტურა გადაიცემა და შეისწავლება მსგავსი არხების საშუალებით. მაშასადამე, არსებულმა ტრანსფორმაციამ გავლენა მოახდინა ტექნოლოგიებზე, შეცვალა ენები და საფუძველი ჩაუყარა ახალი იდეოლოგიების გავრცელებას.

14. ნასესხები სიტყვების აღქმა და გამოყენება ბრიტანულ, ამერიკულ და ქართულ მედია დისკურსში, კერძოდ კი, ონლაინ გაზეთებსა და ჟურნალებში, დაფუძნებულია ენის ფუნდამენტალურ განვითარებასა და ნასესხები სიტყვების სიმდიდრესა და საჭიროებაზე.

15. სოციალურ მედიას შეუძლია წარმოადგინოს სიტყვები და მისთვის დამახასიათებელი ლექსიკა სხვადასხვა საშუალების გამოყენებით. ნაშრომში შეტანიალია სიტყვები, რომელებიც სპეციალურად ქმნის სოციაური ქსელის Twitter - ენას. სტატია ღრმად განიხილავს ამ ლექსიკის მნიშვნელობასა და გამოყენებას Twitter-ის აპლიკაციაში. ნაშრომში ასევე განვიხილავთ ენობრივ განსხვავებას სოციაურ ქსელ Facebook–სა Twitter–ს შორის. აღმოჩნდა, რომ Facebook უფრო მეტად მიმდინარე სოციალურ ურთიერთობებს აშენებს. Twitter მუდმივად განახლებულ

ინფორმაციას გვთავაზობს. სოციალურ ქსელში თემები და ტრენდები მუდმივად იცვლება. ის ნაკლებად არის სოციალური კავშირი და უფრო მეტად – ინფორმაციაა. ამასთან კავშირშია ბიზნესიც, რომელიც სარგებელს იღებს ორივე სოციალური ქსელის საშუალებით და მომხმარებელი (ფანები,მიმდევრები) მუდმივად ჩართულია სოციალურ ურთიერთობებში.

16. ნინო ქავთარძე, იდენტობის პრობლემა და ამინ მაალუფის ისტორიული პროზა

ამინ მაალუფი ლიბანური წარმომავლობის ფრანგი მწერალია, რომელმაც 2011 წელს შეაღო ფრანგული აკადემიის კარი და თავი დაიმკვიდრა 40 უკვდავთა შორის. მაალუფი ლიტერატურას არაბულ, „სინათლის ენაზე" ეზიარა, თუმცა მისი ლიტერატურული დებიუტი „ჩრდილის ენაზე" – ფრანგულზე შედგა. „ლეონ აფრიკელი" მაალუფის პირველი ლიტერატურული ცდა და გამარჯვებაცაა (1986 წ.). ამას მოჰყვა წარმატებული ესე – „არაბთა თვალით დანახული ჯვაროსნული ლაშქრობები" (1983 წ.), გონკურების პრემიით დაჯილდოვებული „ტანიოსის კლდე" (1993 წ.), „სამარყანდი" (1988 წ.) და „ლევანტის კარიბჭე" (1996 წ.), სადაც 1975 წლის სამოქალაქო ომის შედეგად სამშობლოდან გადახვეწილი მწერალი პირველად შეეხო ლიბანში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს.

მდიდარი ტრადიციების მქონე ევროპული ისტორიული პროზა მაალუფისთვის მხატვრული გამოხატვის საუკეთესო ფორმად იქცა. ისტორიულ-ბიოგრაფიული პუბლიცისტიკის პოპულარობის, იდენტობის ზოგადსაკაცობრიო პრობლემის ფონზე, მაალუფის ისტორიული ნარატივი რომანის სპეციფიკურ ფორმას იძენს და მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტების კომპოზიციის და სტრუქტურის მრავალფეროვნებაში ვლინდება.

მაალუფის შემოქმედებას დასავლეთის და აღმოსავლეთის ურთიერთობების ისტორიულ ჭრილში გააზრება, სახელოვანი ადამიანების (ლეონ აფრიკელი, მანი წინასწარმეტყველი, ომარ ხაიამი . . .), პრიზმაში გატარებული სამყაროს ხედვა უდევს საფუძვლად, სადაც რეალობა და ფიქცია, ისტორიული ფაქტები და მითები, სოციალური, რელიგიური თუ ისტორიული თემატიკა ერთმანეთთანაა გადაჯაჭვული. მწერალი სევდანარევი სიამყით ქმნის ამომავალი მზის საოცნებო მხარის პოეტურ ხატს, რაც სამშობლოსთან განშორებით და აღმოსავლეთის მდიდარი წარსულითაა ნასაზრდოები. ისტორიული რომანის ჟანრის მეოხებით (რომელიც მწერლის მიზნებს ყველაზე მეტად ესადაგება), მაალუფი ევროპელებს კიდევ ერთხელ შეახსენებს ლევანტის სწავლულთა ევროპული კულტურისთვის გაწეული ღვაწლის შესახებ. ქრისტიანი არაბთა შორის და არაბი დასავლეთში – ამინ მაალუფი სამშობლოდან დევნილთა იდენტობის საკითხით უფროა დაინტერესებული, ვიდრე ორი კულტურის შეპირისპირებით. რამ გაჰყო ეს ორი სამყარო? კაცობრიობას საერთო ფესვები, ბედი და მომავალი აქვს – ეს ის გზავნილია, რომელსაც მაალუფი უზიარებს თავის მრავალრიცხოვან მკითხველს, უკვე მსოფლიოს 27 ენაზე.

17. გერმანული ენის ტოპონიმთა სტრუქტურული ტიპები მათ ტრანსფერირებასთან მიმართებაში

(პუბლიკაცია საერთაშორისო კრებულში *„ენა და მისი შემსწავლელი მეცნიერებანი ტრადიციასა და ინოვაციას შორის*)

ტოპონიმების ტრანსფერირებისადმი მიდგომის პრინციპი, მიუხედავად თვით სუბკლასის რამდენადმე ჩაკეტილობა-სტაბილურობისა, იცვლება გლობალური მსოფლიოპოლიტიკისა და მასზე დაქვემდებარებული ენობრივი პოლიტიკის ძირითადი ტენდენციების შესაბამისად.

თანამედროვე მსოფლიოს ღიაობის ფონზე სულ უფრო მეტად დაუპირისპირდა სახელთა გადმოტანის ტრადიციულ, ათწლეულებით დამკვიდრებულ გრაფემათთანმიმდევრობაზე ორიენტირებულ მოდელს ფონემათთანმიმდევრობაზე ორიენტირებული მოდელი. პარალელურად კი საგრძნობლად ნაკლებხელშემშლელი გახდა მშობლიური ენის ფონოტაქტიკურ და გრაფოტაქტიკურ წესები, კერძოდ იმის ხარჯზე, რომ სხვა ენის გრაფო-ფონემური ინდივიდუალობებისადმი კონფრონტაციის პრინციპს აშკარად დაუპირისპირდა ტოლერანტული მიდგომის პრინციპი.

ზეპირმა მეტყველებამ საკუთარი სახელების ტრანსფერირების ახლებური პრინციპი მალევე

შეისისხლხორცა, წერით მეტყველებაში კი მან რამდენადმე არაჰომოგენური სახე მიიღო, და უმართავი გახდა, რადგან ნორმის კანონმდებელი ლექსიკონები, ისევე როგორც ეროვნული ენციკლოპედია ძველი ტრადიციების ერთგული დარჩა, ახალმა ინტერნეტმასალამ კი მიმდინარე ცვლილებები სპონტანურად, მეცნიერული ლოგიკურობისა და სისტემურობის პრინციპის დაცვის გარეშე ასახა.

წინამდებარე გამოკვლევა ერთ-ერთი პირველი პუბლიკაციაა გეოგრაფიულ სახელთა სუბკლასის შესწავლისადმი მიძღვნილი ციკლიდან, რომელიც შეეცადა ამ საწყის ეტაპზე ზემოაღწერილ პროცესებში გარკვევასა და მათ მეცნიერულ აღწერას ენობრივი დონებისა და თვით ტოპონიმთა მორფოსინტაქსური სტრუქტურის გათვალისწიებით.

18. აპელატიურ-ინტერროგატიულ საშუალებათა პარალელური სწავლება რუსულსა და გერმანულში მრავალენოვნების ფონზე.

(პუბლიკაცია საერთაშორისო ელექტრონულ კრებულში „რუსული ენა და ლიტერატურა მსოფლიოკულტურის სივრცეში“)

წინამდებარე პუბლიკაცია არის ორი ავტორის – მარინა ანდრაზაშვილისა (გერმანისტი) და ნატალია ბასილაიასა (სლავისტი) – ლინგვოდიდაქტიკური პროფილის ერთობლივი გამოკვლევა, რომელიც ასახავს მათ მიერ ინიცირებული ექსპერიმენტის შედეგებს.

ექსპერიმენტი ტარდებოდა თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ინტერნაციონალურ ჯგუფში. პრობანდები იყვნენ ქართველი, რუსი, აზერბეიჯანელი, უკრაინელი, სომეხი და ოსი ეროვნების სტუდენტები, რომლებიც სრულყოფილად მხოლოდ მშობლიურ ენას ფლობდნენ, რუსულსა და გერმანულს კი – ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულად, საშუალოდ A1– A2 – B1 დონეზე.

ექსპერიმენტის მიზანი იყო, მრავალეროვნებისა და მრავალენოვნების ფონზე, დაახლოებით თანაბარი დარგობრივი უნარების მქონე, მაგრამ განსხვავებული ენობრივი წინარეცოდნის პირებში გამოგვეკვლინა ორი უცხოური ენის პარალელურად სწავლების შედეგები დარგობრივ ტექსტებზე დაყრდნობით. ტექსტების თემატიკა ითვალისწინებდა ინტერვიუს წარმართვის ტექნოლოგიების გამომუშავებასა და მასთან დაკავშირებული ლექსიკური მინიმუმის, ისევე როგორც გრამატიკული, კერძოდ, აპელატიურ-ინტერროგატიული წინადადებების, გამოყენების დაუფლებას; თემასთან დაკავშირებული ზეპირი ქმედებისა და წერითი უნარების განვითარებას.

ექსპერიმენტმა წარმოაჩინა ის კეთილმყოფელი ურთიერთზეგავლენა, რომელსაც ერთი ენა ახდენდა მეორეზე ენობრივი ტრანსფერირების მომენტის გაცნობიერებული თუ ინტუიტური გამოყენების გზით. მიღწეული შედეგები სრულყოფილადაა წარმოდგენილი პუბლიკაციაში და გარკვეული რეკომენდაციებია მიწოდებული მის დასკვნით ნაწილში.

19 . ტექსტის აუდიტორული ანალიზის ჩატარებისა და მისი Praat - ის პროგრამით გადამოწმების შედეგად, ტექსტი დანაწევრდა კომუნიკაციურ სეგმენტებად, რომელთა პროსოდიული საზღვრები ხშირად ემთხვევა როგორც ფონეტიკურ ერთეულებს (რიტმულ ჯგუფებს, მეტყველების ტაქტს ან ფრაზას), ასევე წინადადების ფუნქციონალური პერსპექტივის კომპონენტებს (თემას, ტრანსმისიას, რემას /ფოკუსს). ფუნქციონალური პერსპექტივის თითოეულ კომპონენტს ტიპური პროსოდიული მახასიათებლები გააჩნიათ მაგ. თემატურ სეგმენტებს ახასიათებთ სუსტი მახვილი, მოკლე პაუზა და სუსტად აღმავალი მელოდია. ისინი ტექსტში ქმნიან ტოპიკურ ჯაჭვს. ფოკალური სეგმენტები მანიფესტირებულია ძლიერი აქცენტებით, გრძელი პაუზებითა და მელოდიის არანორმატული კონტურებით. ისინი ქმნიან ტექსტის ვერტიკალურ, ინფორმაციულ ღერძს. ტრანსმისიულ სეგმენეტებს ახლავს საშუალო სიძლიერის მახვილი, მოკლე პაუზა და აღმავალი მელოდია. პროსოდიულად სხვადასხვაგვარად რეალიზებული წინადადების ფუნქციონალური პერსპექტივის კომპონენეტები ტექსტში ქმნიან პროსოდიულ მწვერვალებსა და ჩავარდნებს, რომლებიც კორელაციაში არიან ტექსტის კომპოზიციის განვითარებასთან.

20. კონტრასტულად აღწერილია ოთხი ენის (ქართულის, გერმანულის, ინგლისურისა და ფრანგულის) სეგმენტური დონეები. ხმოვანთა და თანხმოვანთა სისტემების თეორიული, კონტრასტული ანალიზის, ასევე სტუდენტთა წარმოთქმაზე დაკვირვების შედეგად მოცემულ ენებში დადგენილია ინტერფერენციის გამოვლენის ფორმები და პოზიტიური და ნეგატიური სახის ინტერფერენციული შეცდომები. ინტერფერენციული შეცდომების დონეებად დახარისხება გამოყენებულია საწარმოთქმო შეცდომების ინტენსიური კორექტურისთვის.

21. რეკლამა და იდიომი მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის არაპირდაპირი კომუნიკაციის საშუალებად გვევლინებიან. ტექსტისა და სურათის კომპლექსური მიწოდებით მწარმოებელი/რეკლამის შემქმნელი ცდილობს მოიპოვოს მომხმარებლის კეთილგანწყობა და დააინტერესოს იგი სარეკლამო პროდუქტით. ასეთი ინტენციის განხორციელება განსაკუთრებით პროდუქტიულია მაშინ, როდესაც მომხმარებელი და მწარმოებელი /რეკლამის შემქმნელი ერთი და იგივე კულტურულ, ენობრივ და ფსიქოემოციურ სამყაროს მიეკუთვნებიან. ეს გარემოება განაპირობებს მომხმარებლის მიერ კომპლექსური სარეკლამო განაცხადის: ტექსტისა და სურათის ადეკვატურ აღქმასა და დეკოდირებას. მომხმარებელზე მეტი პოზიტიური ზემოქმედების მიზნით რეკლამის შემქმნელი ცდილობს სარეკლამო ტექსტისათვის საგანგებოდ შეარჩიოს ეფექტური ენობრივი საშუალებები, რომელთა შორის გამოირჩევიან მოდიფიცირებული იდიომები. ეს ენობრივი ერთეულები გამოიყენებიან კალამბურის, იუმორის, სპეციფიკაციის, ორმაგი ინტერპრეტაციის შექმნის საშუალებად. ამასთან, რეკლამის შემქმნელი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოდიფიცირებულ იდიომს, იდიომატურ ხატსა და სარეკლამო სურათს შორის არსებულ მიმართებებს. დასურათებულ სარეკლამო განცხადებებში იდიომები უმეტეს შემთხვევებში მოდიფიცირებულია სარეკლამო სურათის ზეგავლენის მეშვეობით.

22. ერთმანეთისაგან სტრუქტურულად განსხვავებული: ქართული, გერმანული და რუსული ენების თანხმოვანთა სისტემების კონტრასტული ანალიზი ენათა ტიპოლოგიური კვლევის მნიშვნელოვანი სფეროა. მოცემული ენების თანხმოვანთა სისტემებს შორის გამოვლენილი მსგავსებებისა და განსხვავებების, ასევე, ინტერლინგვალური ტრანსფერების აღწერა ქმნის წინაპირობას, უცხოურ ენაზე მეტყველების დროს ქართულენოვან სტუდენტთა საწარმოთქმო შეცდომების დიაგნოზირებისა და რედუცირებისათვის და სწავლების ადეკვატური მეთოდის დანერგვისათვის. საწარმოთქმო შეცდომების გამოვლენის მიზნით სტუდენტთა მიერ გერმანულ და რუსულ ენებზე წაკითხული ტექსტები ჩავიწერეთ დისკზე და გამოვიყენეთ როგორც საანალიზო მასალა. თანხმოვანთა ანალიზის შედეგებმა გამოავლინა, თუ რომელი საწარმოთქმო პრობლემებია ყველაზე რელევანტური სტუდენტთა ამა თუ იმ ჯგუფში. დადგინდა, რომ ქართული ენის ფონეტიკურ-ფონოლოგიური თავისებურებების გადატანა სტუდენტთა უცხოურ ენაზე მეტყველების პროცესში განაპირობებს ნეგატიურ ტრანსფერებს და ინტერფერენციულ ფონემატურ შეცდომებს, რომლებიც მნიშვნელოვნად აფერხებენ კომუნიკაციის პროცესს. ნეგატიური ინტერფერენცია უფრო მეტადაა განპირობებული მშობლიური, ქართული ენის ფონეტიკურ-ფონოლოგიური სისტემით, ვიდრე სტუდენტთა მიერ შესწავლილი პირველი ან მეორე უცხოური ენის ფონეტიკურ-ფონოლოგიური სისტემებით.

23. თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში რამდენიმე უცხოური ენის სწავლება მიზნად ისახავს სტუდენტებში არა მხოლოდ ლინგვისტურ-კომუნიკაციური, არამედ ლინგვოკულტურული და ინფორმაციული ტექნოლოგიების კომპეტენციების ფორმირებას, რაც მეტად მნიშვნელოვანია ინტერდისციპლინური ცოდნით აღჭურვილი კადრის მომზადებისათვის, რომელსაც შეეძლება ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში პროფესიული კომუნიკაციის დამყარება. ზოგადჰუმანიტარული სააზროვნო სივრცის შესაბამისი კომპეტენციის მქონე პროფესიონალის ფორმირება გულისხმობს პროფესიული საქმიანობის განხორციელებას არა მხოლოდ ფილოლოგიის, არამედ მომიჯნავე დისციპლინებშიც. ზემოხსენებული მისიის განხორციელებისათვის უაღრესად აქტუალურია უცხოური (გერმანული და რუსული) ენის გაკვეთილზე ინოვაციური მეთოდების დანერგვა და მათი აქტიური გამოყენება. თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრაცია უცხოური ენების სწავლების პროცესში მოითხოვს უცხოური ენების სწავლების მეთოდიკისა და დიდაქტიკის მიზნების ახლებურად გააზრებას. ინტერნეტ-რესურსების, ვებ-გვერდების, თანამედროვე მედიების, ტელეგადაცემების, ფილმების და სხვ. ჩართვა უცხოური ენების სწავლების პროცესში შესაძლებლობას იძლევა გავზარდოთ სტუდენტთა მოტივაცია, ავამაღლოთ უცხოური ენის ცოდნის დონე, გავააქტიუროთ მათი ელექტრონული კომუნიკაცია ევროპის უნივერსიტეტებთან, მოვიპოვოთ უახლესი ინფორმაციები და შევამოწმოთ თუ რამდენად აითვისა სტუდენტმა ინტერნეტში მოძიებული მასალა, მასში კოდირებული კონკრეტული ფაქტები და დეტალები. სასწავლო ფილმების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით განხილვა, ინტერნეტში უცხოურ ენაზე მოპოვებული დამატებითი მასალის ანალიზი, რეფერატებისა და პრეზენტაციების მომზადება ელექტრონულ ფორმატში ორიენტირებულია

ინტერლინგვალური, ინტერდისციპლინური და კრეატიული აზროვნების ჩამოყალიბებაზე და ერთიანი ევროპული სამუშაო სივრცისათვის შესაბამისი კადრის მომზადებაზე.

24. ნაშრომში თეორიულ-ლინგვისტიკური და ექსპერიმენტული კვლევის შედეგად კონტრასტულად აღწერილია ქართული, გერმანული და რუსული ენების სიტყვათმახვილის ფენომენი და ჩატარებულია აქცენტირების საშუალებათა ანალიზი თითოეულ ენაში. კვლევა მოიცავდა შემდეგ ეტაპებს: 1. საექსპერიმენტო მასალის შერჩევა; 2. საექსპერიმენტო მასალის ჩაწერა (ქართულენოვანი სტუდენტების უცხოურ ენაზე წაკითხული ტექსტების შედეგად); 3. აუდიტორთა მიერ ექსპერიმენტული მასალის პერცეფციული ანალიზი; 4. პერცეფციული ანალიზის შედეგების დამუშავება. ჩატარებული გამოკვლევის ბაზაზე დადგენილია მახვილიანი მარცვლის აქცენტირების კანონზომიერებები ქართულ, გერმანულ და რუსულ სიტყვებში, გამოკვლეულია მახვილიანი მარცვლის აქცენტური გამოყოფის საშუალებები და გამოვლენილია სტუდენტთა მიერ ამ ენებში აქცენტირების ნორმის დარღვევით განპირობებული ტიპური შეცდომები. დადგინდა, რომ ქართულ- და ენოვანი სტუდენტებისათვის განსაკუთრებით რთულია რუსული ენის მოძრავი მახვილის, ასევე გერმანული ენის ზოგიერთ სიტყვაში მახვილის გადაწევის შემთხვევების ათვისება და პრაქტიკული გამოყენება. ნაშრომში მოცემულია მეთოდური რეკომენდაციები ყოველ მოცემულ ენაში სიტყვათმახვილის სწორი რეალიზებისათვის. ამ რეკომენდაციების ეფექტურობა წინასწარაა გადამოწმებული ქართულ აუდიტორიაში. კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ სტუდენტთა შეცდომები სიტყვათმახვილში განპირობებულია არა მხოლოდ მშობლიური ენის ფონეტიკური სისტემის თავისებურებით, არამედ აგრეთვე ინტერლინგვალური და ინტრალინგვალური ინტერფერენციებით: უცხოურ ენებში სიტყვებისა და მარცვლების სტრუქტურული თვისებებით, განსაზღვრული აქცენტური მოდელების სიხშირით და სხვ.

25. მრავალენოვნების პოლიტიკურ-ეკონომიკური აუცილებლობა გლობალიზებულ სამყაროში მნიშვნელოვნად ზრდის მოთხოვნას პედაგოგთა შესაბამისი პროფესიული კომპეტენციის მიმართ, ასევე სტუდენტთა მოტივაციას, დაეუფლონ რამდენიმე უცხოურ ენას, პირველ რიგში ზეპირი კომუნიკაციის დონეზე და მის მნიშვნელოვან ასპექტს - წარმოთქმას, რის ბაზაზეც შესაძლებელი ხდება მათი ადაპტაცია ევროპის მრავალენოვან საკომუნიკაციო და პროფესიულ გარემოში. საკითხის განსაკუთრებული აქტუალობის გამო, მოცემულ ნაშრომში ყურადღება მახვილდება პროფესიული პლურილინგვალური საწარმოთქმო კომპეტენციის განვითარებაზე რუსულ და გერმანულ ენებში. ამ მიზნით გამოვიკვლიეთ რუსეთისა და გერმანიის ჟურნალისტების, პირველ რიგში ტელეწამყვანთა საწარმოთქმო შეცდომები, ასევე რუსული და გერმანული ენის შემსწავლელ ქართულ- და რუსულენოვან ჟურნალისტიკის სტუდენტთა საწარმოთქმო შეცდომები. მიღებული ემპირიული მასალის ანალიზის შემდეგ, კონტრასტულად აღვწერეთ ქართული, რუსული და გერმანული ენების საარტიკულაციო ბაზისები, ხმოვანთა და თანხმოვანთა სისტემები და კოარტიკულაციური ფენომენები. ჩატარებული თეორიული და ემპირიული გამოკვლევების შედეგად გამოვავლინეთ ქართული, რუსული და გერმანული ენების ბგერით სისტემებსა და კოარტიკულაციურ ფენომენებს შორის არსებული მსგავსებები, განსხვავებები და ინტერლინგვალური ტრანსფერები. გენეტიკურად ისეთ განსხვავებულ ენათა კონსტელაციაში, როგორიცაა რუსული, გერმანული და ქართული, პოზიტიურ ტრანსფერს, რომელიც ფონეტიკური ფენომენების მეტ-ნაკლებად კორექტული რეალიზებით ხასიათდება, ჭარბობს ნეგატიური ტრანსფერი. ნეგატიური ტრანსფერი წარმოდგენილია უფრო მეტად ფონემატური სახის საწარმოთქმო შეცდომებით. ფონემატური შეცდომები აბრკოლებენ გაგებისა და კომუნიკაციის პროცესს, ამიტომ რეკომენდებულია წარმოთქმის სწავლების უფრო ადრეულ ეტაპზე მათი ინტენსიური კორექტურა. ფონემატური სახის შეცდომები სიხშირით დომინირებენ სამივე ენის ხმოვანთა წარმოთქმისას, რაც რომელიმე მოცემულ უცხოურ ენაში განსაზღვრული დისტინქტური ოპოზიციების არარსებობითაა განპირობებული. ეს ლინგვისტური ფაქტი გერმანული ენის შემსწავლელ რუსულ- და ქართულენოვან სტუდენტებში განაპირობებს გრძელი/დახურული - მოკლე/ღია ხმოვნების, ენის საშუალო აწეულობის წინა რიგის ლაბიალიზებული ხმოვნების და სხვ. არაადეკვატურ წარმოთქმას. რუსული ენის ხმოვანთა წარმოთქმისას ფიქსირდება ფონეტიკური შეცდომები, კერძოდ, მარცვალში ხმოვნისა და პალატალიზებული/ არაპალატიზებული თანხმოვნის რეალიზების დროს, სამივე ენის თანხმოვანთა წარმოთქმისას დომინირებენ ფონეტიკური სახის შეცდომები, რომლებიც ხასიათდებიან ამა

თუ იმ უცხოური ენის საწარმოთქმო ნორმის მეტ-ნაკლები დარღვევით მაგ: ასეთია რუსულ- და ქართულენოვან სტუდენტთა მიერ გერმანული ხშულ-მსკდომი თანხმოვნების რეალიზაცია ფშვინვის გარეშე, წინაენისმიერი თანხმოვნების დენტალური წარმოთქმა და სხვ. ქართულენოვან სტუდენტებს უჭირთ რუსული პალატალიზებული თანხმოვნებისა და მთელი რიგი თანხმოვანთა შეერთებების კორექტული რეალიზება. ნაშრომში დასახულია პერსპექტივები პლურილინგვალური საწარმოთქმო კომპეტენციის შემდგომი განვითარებისთვის, რაც გულისხმობს ამ სფეროში კვლევის პლატფორმის გაფართოებას, ფონეტიკის გაკვეთილზე თეორიული ცოდნის ინტეგრაციას ფონეტიკურად კორექტულ მეტყველებასთან, ინოვაციური სასწავლო მეთოდებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების აქტიურ გამოყენებას და რაც მთავარია „მრავალენოვნების კურიკულუმში" ფონეტიკის განახლებული სახით წარმოდგენას.
26. ევროპის მკვიდრთა მობილობისა და ბოლო ათწლეულებში სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფთა ფართომასშტაბიანი მიგრაციის მზარდმა ტემპმა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობის მულტიკულტურული მრავალფეროვნება განაპირობა. ევროპაში მიგრანტთა როგორც იაფი სამუშაო ძალის გამოყენებამ და ამით განპირობებულმა კონკურენციამ, აღმოსავლურ და დასავლურ წეს-ჩვეულებებისა და ფასეულობების კონფლიქტმა და ორმხრივმა ექსტრემისტულმა გამოვლინებებმა, დაძაბა ურთიერთობები ქვეყნის ძირეულ უმრავლესობასა და იმიგრირებულ უმცირესობას შორის. დომინანტური კულტურის წარმომადგენლებს მოუწიათ დაფიქრება იმაზე, თუ რა დოზით შეუძლიათ კულტურულად განსხვავებული ხალხისა და მათი კულტურული თავისებურებების მიღება და გაზიარება. მეორე მხრივ, უმცირესობათა წარმომადგენლები დადგნენ პრობლემის წინაშე, თუ როგორ შეინარჩუნონ მშობლიური - ენობრივი, რელიგიური და კულტურული თვითმყობადობა „ახალ სამშობლოში" და ამავე დროს შეეგუონ უმრავლესობის სოციო-კულტურულ მემკვიდრეობას. მოვლენათა ამ კონტექსტში თანამედროვე მულტიკულტურული ლიტერატურა იქცა კულტურათა დიალოგის ფორუმად, რომელმაც თავის ფურცლებზე მსჯელობის საგნად აქცია კულტურული იდენტობის საკითხი. მულტიკულტურული ლიტერატურის ავტორები, მუსლიმ იმიგრანტთა მეორე და მესამე თაობის წარმომადგენლები, მულტიკულტურული დიალოგის ინიციატორები არიან. ისინი გამოირჩევიან თავისი განმანათლებლური პოზიციით, მხარს უჭერენ ევროპული მულტიკულტურული სცენარის განვითარებას - კულტურათა უნიკალურობის, თვითმყოფადობის, მათი უფლებების აღიარებასა და ძირეულ მოსახლეობასთან ინტეგრაციის კონცეფციას. ეს გერმანულენოვანი მუსლიმი მწერლები თავის მხატვრულ ნაწარმოებებში გვაცნობენ მუსლიმური და ქრისტიანული კულტურების მახასიათებლებს, აზროვნებისა და ქცევის განსხვავებულ მოდელებსა და ნორმებს, ავლენენ საზოგადოებაში მიმდინარე სიღრმისეულ ცვლილებებსა და კონფლიქტებს და ცდილობენ დაძლიონ უმრავლესობასა და უმცირესობას შორის აღმოცენებული გაუცხოებისა და უნდობლობის სინდრომი. ისინი იღწვიან იმისთვის, რომ გააფართოვონ თითოეული მოქალაქის ინერკულტურული კომპეტენცია და ცოდნის ჰორიზონტი, უცხო თვალსაწიერიდან დაანახონ საკუთარი სახე და იდენტობის ის მახასიათებლები, რომლებიც დისონანსს იწვევენ სხვა კულტურების წარმომადგენლებში, გადალახონ ერთმანეთზე შექმნილი სტერეოტიპები და „საკუთარი" და „უცხო" სამყაროების შედარებისა და რეფლექსიის საშუალებით შესთავაზონ მათ ახლებური, მულტიკულტურული აზროვნება. ამრიგად, მულტიკულტურული ლიტერატურა გვაწვდის ჰეტეროგენული მულტიკულტურული საზოგადოების ტრანსფორმაციის იდეებს, რომლებიც გარკვეულ ზეგავლენას ახდენენ მკითხველზე, მის კულტურულ ორიენტაციაზე, ეთიკურ ნორმებსა და ფასეულობებზე.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მანანა რუსიეშვილი და	Cultural aspects of the	ქუთაისი, 7- 9 ოქტომბერი

	ეკატერინე თოფურია	translation-to ignore or not to ignore?	2015 წელი
2	თ. მარგალიტაძე, ი. ორმოცაძე	„ინგლისურ-ქართული სამეცნიერო ტექსტების პარალელური კორპუსის პლატფორმა და დარგობრივი ლექსიკოგრაფია“	საერთაშორისო კონფერენცია „ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები“. სექტემბერი, 2015, თბილისი
3	თ. მარგალიტაძე,	„თანამედროვე ორენოვანი ლექსიკოგრაფიის ამოცანები“	საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი. თბილისი, 2015 წლის ნოემბერი
4	მანანა გელაშვილი	დროისა და სივრცის მოდელირება ვირჯინია ვულფის რომანში „ტალღები“	ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის IX სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას დაბადებიდან 125 წლისთავისადმი. (პროგრამა). თეზისები: https://www.tsu.ge/ge/faculties/humanities/bg_foaydxdtbgqlga/b-nywk3ah98agq2cx//
5	მანანა გელაშვილი	„ტრადიციისა და ნოვატორობის გააზრება ვირჯინია ვულფის ესეებში.	შოთა რუსთაველის ქა ლიტერატურის ინსტიტუტი, საერთაშორისო სამე სიმპოზიუმში – “ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები”. 23-25 სექტ., 2015.
6	დავით მაზიაშვილი	„მიმეტური სურვილი“ ტომ სტოპარდის შემოქმედებაში	23-25 სექტემბერი 2015 თსუ, შოთა რუსთა სახელობის ქარ ლიტერატურის ინსტ თბილისი.
7	ც. ახვლედიანი, **გ. ყუფარაძე**	ფრანგული და ანგლო-ამერიკული პრაგმატული ლინგვისტიკის ისტორია და პერსპექტივები	4-6 ოქტომბერი, თბილისი, საქართველო
8	ც. ახვლედიანი, **გ. ყუფარაძე**	ლინგვისტურ ფორმათა თავისებურებანი თარგმანში / On the material of English, French and Georgian Languages /	30 აგვისტო- 4სექტემბერი ილიას უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
9	ც. ახვლედიანი, **გ. ყუფარაძე**	ზოონიმთა შემცველი ადიექტური ფრაზეოლოგიური ერთეულები ინგლისურ და ფრანგულ ენებში	9-11 ოქტომბერი, თელავი, საქართველო
10	ც. ახვლედიანი, **გ. ყუფარაძე**	ინგლისურ ნასესხობათა ასიმილაცია ფრანგულში	17-18 ივნისი, თბილისი, თსუ, საქართველო
11	ირინა გველესიანი	გერმანული Treuhand-ი ავსტრიული Treuhand - ის პირისპირ (ტერმინოლოგიური კვლევა)	19-21 თებერვალი, თბილისი
12	ნინო ქავთარაძე	ჟაკ რუბოს ახალი დაკარგად დავიწყებული გროტესკი	მე-9 საუერთაშორისო სიმპოზიუმი

			„ლიტერატურატმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები”, 2015 წლის 23-25 სექტემბერი, თბილისი
13	ნინო ქავთარაძე	სამყაროს ულებეკისეული დასასრული	შედარებითი ლიტერატურის მე-6 კონფერენცია,2015 წლის 19-20 ოქტომბერი, თბილისი
14	მარინე კობეშავიძე, ნინო ჭრიკიშვილი	ესპანური ლექსიკოგრაფიის განვითარების ძირითადი ეტაპები	4-6 ოქტომბერი, თბილისი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
15.	მაია ჯავახაძე	“დროის კონცეპტუალიზაციის თავისებურებები იტალიურ და ქართულ ენებში”.	თ IშIშ III შ ღთ შ ღIშ შ ჩ I ღ ღ ჩI „ თ ღ “. 30 - 31 ოქტომბერი, 1 ნოემბერი 2015 წელი.
16	ნ. კაპანაძე. ნ; ქიმერიძე.	Deutsche und georgische Schenkungsurkunden (17.-18. Jh.): Eine kontrastive Betrachtung unter sprachlichen, funktionellen und kulturhistorischen Aspekten.	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ტექსტისა და დისკურსის ანალიზის თეორია და პრაქტიკა“. 4-15. 2015. თბილის, თსუ.
17	ნ. ქიმერიძე	ინტერნაციონალიზაციის საკითხისათვის და კულტურათა დიალოგი ფილოლოგიურ სწავლებაში (აკრედიტირებული ქართული უმაღლესი განათლების პროგრამების მასალაზე)	HENTI-2015 პირველი საერთაშორისო კონფერენცია: უმაღლესი განათლება - ახალი ტექნოლოგიები და ინოვაციები. 2015 1.05-2.05. ქუთაისი.
18	ნ. კაპანაძე. ო.კაპანაძე	Building Parallel Treebanks – Coping with Diversity in Languages.	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ტექსტისა დისკურსის ანალიზის თეორია და პრაქტიკა“. 14-15. 10. 2015. თბილის, თსუ.
19	ნ. კაპანაძე.	კორპუსის ლინგვისტიკის მეთოდების შესაძლებლობები დარგობრივი კომუნიკაციის კვლევაში.	ჰუმანიტარულ მეცნიერება ფაკულტეტის IX სამეცნიე კონფერენცია. 2015 24.06 - 25. Tbilisi, თსუ
20	ნ. კაპანაძე.	ენის ტექნოლოგიების მეთოდების ჩართვა ჰუმანიტარულ მეცნიერებების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში.	HENTI-2015 პირვე საერთაშორისო კონფერენც უმაღლესი განათლება - ახა ტექნოლოგიები და ინოვაციები. 2015 1.05-2.05. quTaisi
21	მარინა ანდრაზაშვილი	არათარგმნადი კულტურგეოგრაფიული რეალიები და მათი ეკვივალენტები.	ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის IX სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას დაბადებიდან 125 წლისთავისადმი. (პროგრამა). თეზისები:

			https://www.tsu.ge/ge/faculties/humanities/bg_foaydxdtbgqlga/b-nywk3ah98agq2cx//
22	კონსტანტინე ბრეგაძე	კონსტანტინე გამსახურდიას ურბანისტული ლირიკა	**31 ოქტ., 2015.** ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სემიოტიკის VI სამეცნიერო კონფერენცია – „ქალაქის სემიოტიკა და სემიოტიკა ქალქში".
23	კონსტანტინე ბრეგაძე	გოეთეს „ფაუსტის" ფინალის ინტერტექსტი	**19-20 ოქტ., 2015.** ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტ შედარებითი ლიტერატურის VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია
24	კონსტანტინე ბრეგაძე	ცოდნის ნება როგორც ძალაუფლების ნება: ჰორაციუსის კონცეპტ dulce/utile-ს დისკურსული ბუნება (გერმ. ენაზე)	**14-16 ოქტ., 2015.** თსუ, საერთაშორისო სამე კონფერენცია - „ტექსტისა და დისკურსის ანალიზის თეორია და პრ ეძღვნება პროფ. ლალი ქეცბა-ხ 70 წლის იუბილეს".
25	კონსტანტინე ბრეგაძე	ლიტერატურული ტრადიციის გაგება ქართულ მოდერნიზმში	**23-25 სექტ., 2015.** შოთა რუსთაველის ქა ლიტერატურის ინსტიტუტი, საერთაშორისო სამე სიმპოზიუმში – "ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები".
26.	ლალი ქეცბა-ხუნდაძე	„ერთობლივი სამწლიანი პროექტის: ტექსტისა და დისკურსის თეორია და პრაქტიკა გერმანულ ენათმეცნიერებასა და ლიტერატურათმცოდნეობაში - მომზადების ეტაპები და შედეგები"	2015 წლის 14- 16 ოქტომბერი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საერთაშორისო კონფერენცია: „ტექსტისა და დისკურსის თეორია და პრაქტიკა", რომელიც მიეძღვნა გერმანული ფილოლოგიის კათედრის ხელმძღვანელის პროფ. ლალი ქეცბა-ხუნდაძის 70 წლის იუბილეს.

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1. თარგმანის თეორიის ერთ-ერთი პრობლემაა კულტურული თვალსაზრისით მარკირებული ერთეულების თარგმანი. ასევე კარგად არის ცნობილი, რომ თარგმანის დროს ტექსტის ვერბალური და სემანტიკური ტრანსპოზიციის გარდა, გულისხმობს კულტურულ ტრანსპოზიციასაც. ამგვარად, თარგმანის აქტი იღებს კულტურული აქტის სტატუსს და მჭიდროდ უკავშირდება სამიზნე ენასა და კულტურაში დამკვიდრებულ კულტურულ და სოციალურ ასპექტებს. (Venuti, 1995: 18; Larson, 984: 436–7; Fernandez Guerra, 2012:1–3).

2. **თინათინ მრგალიტაძე, ია ორმოცაძე, „ინგლისურ-ქართული სამეცნიერო ტექსტების პარალელური კორპუსის პლატფორმა და დარგობრივი**

ლექსიკოგრაფია“
მოხსენებაში განხილული იყო ინგლისურ-ქართული სამეცნიერო ტექსტების პარალელური კორპუსის პლატფორმის გამოყენების შესაძლებლობა დარგობრივ ლექსიკოგრაფიაში, კერძოდ კი ინგლისურ-ქართული დარგობრივი ლექსიკონების შესადგენად. აღწერილი იყო კორპუსის ახალი მოდული - ტერმინოლოგიური მოდული და მასთან დაკავშირებული დეტალური ძიების ფუნქცია

3. **თინათინ მარგალიტაძე, „თანამედროვე ქართული ორენოვანი ლექსიკოგრაფიის ამოცანები“~**

სტატიაში, ლექსიკოგრაფიული ცენტრის მრავალწლიან გამოცდილებასა და კვლევებზე დაყრდნობით, გაანალიზებულია თანამედროვე ქართული აკადემიური ორენოვანი ლექსიკოგრაფიის ამოცანები, როგორც ზოგადი ლექსიკოგრაფიის, ისე დარგობრივი ლექსიკოგრაფიის თვალსაზრისით.

4. **მანანა გელაშვილი, დროისა და სივრცის მოდელირება ვირჯინია ვულფის რომანში „ტალღები**

მხატვრული დროისა და სივრცის ნოვატორული მოდელირება მოდერნისტული ლიტერატურის ერთერთ უმნიშვნელოვნეს მახასიათებელს წარმოადგენს. ეს პრობლემა საინტერესო ინტერპრეტაციას იღებს ვირჯინია ვულფის შემოქმედებაში, განსაკუთრებით მის ყველაზე ექსპერიმენტულ რომანში „ტალღები” (1931). ამ რომანში აღარ არსებობს ის მინიმალური სიუჟეტიც კი, რომელიც ვულფის 20-იანი წლების რომანებში („მისის დელოუეი”, „შუქურისაკენ”) არსებობდა. რომანი რამდენიმე სტატიური მონკვეთისგან შედგება, რომელიც პერსონჟთა ცნობიერების ნაკადს წარმოადგენს. რომანის მხატვრული დრო ერთი დღეა, რომელზეც პროეცირდება პერსონაჟთა მთელი ცხოვრება ბავშვობიდან გარდაცვალებამდე. თხრობის ფრაგმენტულობა, დროის წრფივი განვითრების რღვევა რომანის სივრცულ ფორმას წარმოქმნის. ნაშრომში დროისა და სივრცის პრობლემა განხილულია ორ დონეზე: ერთი მხრივ როგორც რომანის ერთერთი თემა, პრობლემა, რომლზეც ნაწარმოების გმირები ფიქრობენ და ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ ასპექტში განიხილავენ. ხოლო მეორე მხრივ, დრო და სივრცე, როგორც რომანის პოეტიკის ნაწილი. ორივე ასპექტის ერთიანობა წარმოქმნის სრულ წარმოდგენას ნაწარმოების ქრონოტოპის თვისებურებაზე

5. **მანანა გელაშვილი, ტრადიცია და ნოვატორობა ვირჯინა ვულფის ესეებში**

ვირჯინა ვულფმა ჩამოაყალიბა და გაავრცელა მაღალი-მოდერნიზმის ესთეტიკა არა მხოლოდ მის რომანებში არამედ მის ესეებშიც. ის იყო ერთ-ერთი პირველი, რომელიც წერდა იმ ინოვაციებზე რომელიც მოდერნიზმის ეპოქამ მოიტანა: ცნობიერების ნაკადი, სწორხაზოვანი კომპოზიცია და დროისა და სივრცის ახლებური აღქმა.

ვირჯინია ვულფის „ესეების კრებული” არის ექვს-ტომეული, რომლის მთავარი ამოცანაა გვითხრას, რომ ყველაზე კარგად გააზრებული ინოვაცია აუცილებლად უნდა ემყარებოდეს ტრადიციას.

მიუხედავად იმისა, რომ ვირჯინია ვულფი სასტიკად აკრიტიკებდა ედვარდის დროინდელ მწერლებს მათი „მატერიალიზმის” გამო, საკამოდ ბევრი ესე ეთმობა ტრადიციულ მწერლებსაც, როგორებიც არიან ჯეფრო ჩოსერი, ჯონ დონი, ლორენს სტერნი, მიშელ დე მონტენი და სხა. სწორედ მათ ნამუშევრებს მიიჩნევდა ვულფი იმ ტრადიციად, რომელზე დაყრდნობითაც ახალი ინოვაციები უნდა დაშენებულიყო.

6. **დავით მაზიაშვილი, „მიმეტური სურვილი“ ტომ სტოპარდის შემოქმედებაში**

თანამედროვე ბრიტანელი დრამატურგი სერ ტომ სტოპარდის შემოქმედებას გამორჩეული ადგილი უკავია, როგორც ბრიტანეთის, ასევე მსოფლიო თეატრალურ და ლიტერატურულ სივრცეში. დრამატურგი მიიჩნევს, რომ იგი ტრადიციული თეატრისა და ლიტერატურის გამგრძელებლია, რაზეც ხშირად შენიშნავს, რომ იგი

კონსერვატორია პატარა „კ“-თი. კონსერვატორია პოლიტიკაში, ლიტერატურაში, განათლებასა და თეატრში.
ტომ სტოპარდის შემოქმედება მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა ტექსტების და თავად კლასიკოსი ავტორების ახლებური გააზრებით გამოირჩევა. ამის საილუსტრაციოდ რამდენიმე პიესის დასახელებაც საკმარისია: „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდარნი არიან“ (*Rosencrantz and Guildenstern are Dead*) (1966), „მოხტუნავენი“ (*Jumpers*) (1972), „პაროდისტები“ (*Travesties*) (1975), „არკადია“ (*Arcadia*) (1993) და ა.შ. დრამატურგი საკუთარ პიესებს პოსტმოდერნული ლიტერატურულ-მხატვრული ხერხებითა და ტექნიკით თხზავს.

სტატიაში პოსტმოდერნული ესთეტიკის გადმოსახედიდან შესწავლილია მიმეტური სურვილი და მიმეტური სურვილის შედეგად წარმოქმნილი მსხვერპლშეწირვის რიტუალის მნიშვნელობა ტომ სტოპარდის პიესებში „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდარნი არიან“, „მოხტუნავენი“ და „არკადია“. კვლევის თეორიულ ბაზისს თანამედროვე ფრანგი ანთროპოლოგისა და ლიტერატურის კრიტიკოსის რენე ჟირარის ნაშრომები წარმოადგენს, რომელმაც შემოიტანა ტერმინი „მიმეტური სურვილი“.

7. ციური ახვლედიანი, გიორგი ყუფარაძე
ფრანგული და ანგლო-ამერიკული პრაგმატული ლინგვისტიკის ისტორია და პერსპექტივები

ტერმინი « პრაგმატიკა » ფართოდ გამოიყენება ლიტერატურაში, მაგრამ მისი განმარტება და ხმარება სულაც არაა ერთმნიშვნელოვანი და ხშირადაა წინააღმდეგობრივი. პრაგმატული ლინგვისტიკა ჩამოყალიბდა კომუნიკაციურ – ფუნქციონალური ენათმეცნიერების ჩარჩოებში, XX საუკუნის მეორე ნახევარში. იგი შეისწავლის ენობრივ ერთეულთა შორის ურთიერთობებს და მათი გამოყენების პირობებს განსაზღვრულ კომუნიკაციურ – პრაგმატიკულ სივრცეში. იყენებს რა როგორც ენობრივი მასალის ანალიზის მეთოდთა და საშუალებათა ფართო სპექტრს, ასევე საკმაოდ მდიდარ, საკუთარ ცნებით – ტერმინოლოგიურ აპარატს, იგი (პრაგმატული ლინგვისტიკა) ხასიათდება კვლევათა განსაკუთრებული მრავალასპექტურობით, რაც პროვოცირებს ამ დისციპლინის დამოუკიდებლობის თემაზე დისკუსიას. მისი წარმოშობისთანავე მიმდინარეობდა კამათი იმის შესახებ, არის თუ არა პრაგმატიკა შინაგანად მთლიანი მეცნიერება, იგი ერთიანია, თუ რამოდენიმე სხვადასხვა ნაწილისაგანაა შემდგარი, რომლებიც აერთიანებენ სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინებს და გააჩნიათ კვლევის სხვადასხვა ობიექტები და მეთოდები. აქედან გამომდინარე, დადგა პრაგმატიკის, მისი შინაგანი კავშირების, მისი არსებობის ავტონომიურობის , მისი სტატუსის საკითხი.
ლინგვისტური პრაგმატიკის თავდაპირველი განმსაზღვრელები მიზნად ისახავდნენ პრაგმატიკის სფეროს მინიმალურ განსაზღვრას. მათ მიერ არ იყო გამოვლენილი ობიექტის სპეციფიკა და საჭირო იყო შემდგომი დაზუსტებები. პრაგმატიკის განსაზღვრის ერთ-ერთი კლასიკური კრიტერიუმი იყო გზავნილი მოლაპარაკესთან. სხვა, უფრო გვიანი დეფინიციები პრაგმატიკას აიდენტიფიცირებენ კონტექსტში ენის შესწავლასთან ან ენის გაგებასთან მისი “ გამოყენების “ მიხედვით.
პრაგმატიკის ფართო (მაქსიმალისტური) გაგება ხასიათდება პრაგმატული სფეროს იდენტიფიკაციის განუსაზღვრელობით: ანალიზის საფუძველს წარმოადგენს ისეთი აბსტრაქტული და მრავალფაქტორიანი კრიტერიუმები, როგორიცაა გზავნილი მოლაპარაკესთან და გამოყენების კონტექსტი, რომლებიც მოითხოვენ მუდმივ დაზუსტებასა და კონკრეტიზაციას. მხოლოდ ემპირიული მასალის მნიშვნელოვანი კორპუსის მიზიდვას, რაც ახდენს ენობრივი რეალობის მდგომარეობათა მრავალფეროვნების ილუსტრირებას და გამოყენების პრაქტიკულ პარამეტრთა ინვენტარიზაციას, განსაზღვრული ხარისხით, მიჰყავს ეს დისციპლინა რაღაც საერთო მნიშვნელამდე, რაც გულისხმობს კატეგორიალურ და კონცეპტუალურ ნიშანთა ერთობლიობას. თავისი სივრცის კატეგორიზაციითა და კონცეპტუალიზაციით, აზუსტებს და აკონკრეტებს რა ამ საერთო მნიშვნელს ერთი საერთო სახელწოდების ქვეშ, ენის სხვა თეორიულ მიდგომებთან შეფარდებით, პრაგმატიკა ხასიათდება როგორც სამეცნიერო დისციპლინის ემპირიული ვერსია. მისი კვლევის საგანი ვლინდება ისეთ დისციპლინათა დისციპლინათშორის ინტეგრაციის საფუძველზე, როგორებიცაა ფსიქოლოგია, სოციოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, ანთროპოლოგია, ეთნომეთოდოლოგია, კომუნიკაციისა და მეტყველების

ეთნოგრაფია და სხვ., რომლებიც ქმნიან კონცეპტუალურ ერთობას მოლაპარაკე სუბიექტის ლინგვისტურ ანალიზში შეყვანის გზით, ან უფრო ფართოდ რომ ვთქვათ – ანთროპოცენტრული პრინციპის საფუძველზე.

ამგვარად, ფრანგული და ანგლო-ამერიკული ენათმეცნიერების პრაგმატული ლინგვისტიკის მიმართულებები ეყრდნობა მსოფლიო ლინგვისტური მეცნიერების მიღწევებს და ღრმა ფესვების გამო ლინგვისტიკის ისტორიაში საკუთარ კონცეპტუალურ – მეთოდოლოგიურ ადგილს იკავებს. უნდა აღინიშნოს, რომ ფრანგული და ანგლო-ამერიკული პრაგმატული ლინგვისტიკის ისტორია საკმაოდ ხანმოკლეა (ისევე, როგორც თვით ეს მიმართულება – პრაგმატული ლინგვისტიკა), მისი ტენდენციები განისაზღვრება ნაციონალური ფილოსოფიის, ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის თეორიული მიღწევებით.

8. გ. ყუფარაძე, ც. ახვლედიანი
ლინგვისტურ ფორმათა თავისებურებანი თარგმანში

თარგმანის ფენომენი კარგა ხანია იზიდავს ენათმეცნიერთა, ფსიქოლოგთა, ლიტერატურამცოდნეთა და ეთნოგრაფთა ყურადღებას. ამ უკანასკნელის მეცნიერული შესწავლის შედარებით ახალი მიმართულების ჩამოყალიბება, რომელიც თარგმანს განიხილავს საკუთრივ ლინგვისტიკის პოზიციებიდან, უკავშირდება ენათმეცნიერებაში ახალი ტენდენციების გაჩენას და კერძოდ, - კომუნიკაციის თეორიის განვითარებას. როგორი ინდივიდუალურიც არ უნდა იყოს ესა თუ ის კონკრეტული შემთხვევა შიდაენობრივ კომუნიკაციაში, მის კომუნიკაციურ ვარგისიანობას არეგულირებს ობიექტურად არსებული ენის სისტემის უნივერსალურობა. ორი ენის შედარება შესაძლებელია განხორციელდეს უკვე არსებული სხვადასხვა გრამატიკული მოდელებიდან ნებისმიერის გამოყენების საფუძველზეც.

ჩვენი კვლევა ეყრდნობა ინგლისურ-ქართული, ქართულ-ინგლისური, ფრანგულ-ქართული, ქართულ-ფრანგული თარგმანების კონტრასტულ ლინგვისტურ ანალიზს. უცხოური ენიდან მშობლიურზე და პირუკუ - მშობლიური ენიდან უცხოურზე თარგმნა გულისხმობს შესაპირისპირებელ ენათა სინტაქსური და სემანტიკური სტრუქტურების საფუძვლიან ფლობას. ქართული ენის სინტაქსური სტრუქტურები აბსოლუტურად განსხვავებულია (გაცილებით თავისუფალი წყობით ხასიათდება) ინგლისური და ფრანგული ენების სინტაქსური სტრუქტურებისაგან.

დასკვნის სახით, უნდა აღინიშნოს, რომ თარგმანის კონტრასტული ანალიზის ლინგვისტური ასპექტის შესახებ ბევრი სხვა პრობლემაც არსებობს. მათგან ერთ-ერთი შედარების დესკრიფციული სურათი შევეცადეთ მოკლედ წარმოგვედგინა. თუმცა, ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კონტრასტული ანალიზისას წარმოშობილი სირთულეები მარტო ენობრივი სახიათისა რომ იყოს, მაშინ ეს უკანასკნელნი უცილობლად დაექვემდებარებოდა მათ ენობრივ გადაწყვეტას. კონტრასტული სინტაქსური და სემანტიკური კვლევა თარგმანის საფუძველზე ქმნის სოლიდურ ემპირიულ საფუძველს არამარტო ენის სტრუქტურის დაუფლებისათვის, არამედ მოცემული ენობრივი ერთობის კულტურისა და სხვადასხვა ეთნიკური თავისებურებების შესწავლისათვის.

9. ც. ახვლედიანი, გ. ყუფარაძე

ზოონიმთა შემცველი ადიექტური ფრაზეოლოგიური ერთეულები ინგლისურ და ფრანგულ ენებში

ადიექტური ფრაზეოლოგიური ერთეულების მკვლევარები, სხვადასხვა ენათა მასალაზე, გამოყოფენ ორ ძირითად სტრუქტურულ კლასს: კომპარატიულებს და არაკომპარატიულებს. ჩვენს საკვლევ ინგლისურ და ფრანგულ ენებში, ზოონიმთა შემცველ ადიექტიურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში შეინიშნება კომპარატიულ ადიექტიურ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სიჭარბე. ინგლისური და ფრანგული ენების კომპარატიული ადიექტიური ფრაზეოლოგიური ერთეულების ყველაზე პროდუქტიული მოდელია “Adj.+Comp+Noun” (“ზედსართავი+შედარებითი კავშირი+ზოონიმი”). ამ სტრუქტურული ტიპის

ფრაზეოლოგიური ერთეულები, უმეტესად, კონსტანტურ-ვარიანტულები არიან.

10. ც. ახვლედიანი, გ. ყუფარაძე

ინგლისურ ნასესხობათა ასიმილაცია ფრანგულში

თანამედროვე ფრანგულ საიტებზე შეინიშნება, რომ ანგლო-ამერიკული ნასესხობები უხვადაა ფრანგული ენის ლექსიკურ შემადგენლობაში. ნასესხობები უკავშირდება, კულტურათაშორისი კონტაქტების პირობებში, ინფორმაციათა აქტიურ გაცვლას. საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებული, თანამედროვე სოციალურ – ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები ასახვას პოულობენ ენაშიც. ინგლისურენოვან ნასესხობათა დიდი ნაწილი, რომლებიც ხშირად გვხვდება ფრანგულ საიტებზე, ჯერ კიდევ არ არიან შესაბამისად ფიქსირებულნი ფრანგულ ლექსიკონებში. ინგლისურენოვანი ნასესხობების ფრანგულ ენაში გამოყენებისა და ასიმილაციის ხარისხის მიხედვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ უმეტეს შემთხვევაში, ინგლისურენოვანი ნასესხობების ფონეტიკური ასიმილაცია ფრანგულ ენაში მდგომარეობს ინგლისური ბგერების ფრანგული ენის ბგერითი საშუალებებით გადმოცემით და ნასესხები სიტყვების ორთოგრაფიის შენარჩუნებით; თუმცა, რიგ შემთხვევებში, ფრანგულ ენაში შეინიშნება ორთოგრაფიის ინგლისურენოვან ჟღერადობამდე "გაჭიმვის" პროცესი (როგორც მაგ., სიტყვა chat–ში). როგორც ჩანს, ასეთ შემთხვევებში, სიტყვის ბგერითი ფორმა მნიშვნელოვანი მსაზღვრელია სიტყვის "ინტერნაციონალური ცნების" შენარჩუნებისათვის. ინგლისურენოვან ნასესხობათა გრამატიკული ასიმილაცია, თანამედროვე ფრანგულ ენაში, მდგომარეობს ნასესხები ლექსიკური ერთეულების სიტყვათა გრამატიკული კლასებისადმი მიკუთვნებაში და მათ დაყოფაში შესაბამისი გრამატიკული კატეგორიებით. უახლესი ინგლისურენოვანი ნასესხობები, რომლებიც გვხვდება ფრანგულ საიტებზე, ძირითადად, ინტერნაციონალური ხასიათისაა.

11. გერმანული Treuhand-ი ავსტრიული Treuhand - ის პირისპირ (ტერმინოლოგიური კვლევა)

საკუთრების მინდობა" ინგლისურ-ამერიკული სამართლის სისტემისთვის დამახასიათებელი ინსტიტუტია. დღესდღეობით, იგი სხვადასხვა მოდიფიკაციით მკვიდრდება კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემაშიც. ნაშრომში წარმოდგენილია „საკუთრების მინდობის მსგავსი" ინსტიტუტი (*Treuhand*-ი), რომელიც დამკვიდრებულია გერმანიისა და ავსტრიის სამართლის სისტემებში. ამასთანავე, შესწავლილია *Treuhand*-თან დაკავშირებული ტერმინოლოგიური ერთეულები გერმანიისა და ავსტრიის კანონმდებლობათა შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე.

12. ნინო ქავთარაძე, ჟაკ რუბოს ახალი და კარგად დავიწყებული გროტესკი

უკვე დიდი ხანია მწერლობა პროფესიაა, ხოლო სხვა ხელობის მქონე მწერლები კი – დამკვიდრებული, კეთილი ტრადიცია. ასეა ჟაკ რუბოს შემთხვევაშიც: მათემატიკოსი, პოეტი და პროზაიკოსი, ერთი სიტყვით – ულიპოელი. ორი აბსტრაქტული ნიშნის მსახური ერთია ნად კომფორტულად გრძნობს თავს დიდების თუ პატარების მწერლობაში, მიზეზი კი – თამა შია, რომელიც პატარებზე მეტად უფროსებს მოსწონთ და ახალისებთ.

ჟაკ რუბო ულიპოელი 1966 წელს გახდა, როდესაც რაიმონ კენომ მათემატიკური კატეგ ორიებით დაინტერესებული ახალგაზრდა, ფრანგულ ენაზე ლუის კეროლის მთარგმნელი *პო ტენციური ლიტერატურის* (OULIPO) ჯგუფს წარუდგინა. დღეს რუბო ახალი ლექსთწყობის – ბაობაბის და ჰაიკუს ავტორია. ეს არცაა გასაკვირი, რადგან საბუნებიმეტყველო მეცნიერე ბები რუბოს ტრუბადურების თუ იაპონური პოეზიით გატაცებაში ხელს არ უშლის.

ახალი პოეტური ფორმების ძიებასა და აქამდე არსებულის სრულყოფასთან ერთად, რ უბოს პროზაული ციკლების შექმნაც ტრადიციად ექცა. მაგალითად, წიგნები მეფე არტურზე და მრგვალი მაგიდის რაინდებზე. პაროდიული რომანების სერიაში („პირმშვენიერი ორტანზ ი"(1985), „ორტანზის მოტაცება" (1987), „ორტანზის გადასახლება" (1990)). ულიპოელი და კარტეზიანელი რუბო ჟანრის მკაცრ ჩარჩოებში მოქცეული ფსევდო დეტექტიური რომანით

არღვევს მეუღლის გარდაცვალებით გამოწვეულ ორწლიან დუმილს. იმ მკითხველს, რომელი

ც მათემატიკასთან დამეგობრებული არ არის, გაუჭირდება მიჰყვეს მეცნიერული კატეგორიებ ით აწყობილ ნარაციას, თუმცა ესიამოვნება მსუბუქი ირონიის და ბრწყინვალე იუმორის დაჭ აშნიკება. სწორედ ასე ნიღბავს რუბო თავის ფილოსოფიურ შეხედულებებს თანამედროვე სა მყაროსა და ყოფაზე. ამ რომანი-დიალოგების ავტორი სავარაუდო ადრესატს, იდეალურ რეციპიენტს თუ ნარატერს გასახალისებლად იწვევს, ხოლო პოლდევიის სამეფოში გათამაშ ებული სერიულ ქურდობებში გარკვევას გაზულუქებულ კატას, ალექსანდრ ვლადიმიროვიჩს ანდობს, სამყაროს მედიდურად რომ დაჰყურებს.

გროტესკი და მათემატიკური სიზუსტით გათვლილი ლიტერატურული თამაში რუბოს მ რავალწახნაგოვანი შემოქმედების საფუძველი ხდება. მისი თავშეკავებული ევროპული იუმ ორით გაჯერებული ექსპერიმენტული რომანები მხატვრული ფიქციის ჩარჩოების გარღვევის კიდევ ერთი ნიმუშია, ამიტომ ძნელია არ დაეთანხმო ჟაკ რუბოს, რომელიც თავს პრე-პოსტმოდერნისტს, მათემატიკის და პოეზიის კომპოზიტორს უწოდებს.

13. ნინო ქავთარაძე, სამყაროს უელბეკისეული დასასრული

ერთ კუნძულზე წარმოქმნილ ორ ცივილიზაციას მსოფლმხედველობით, მიზნებით, დისკურსით, დროის აღქმით განსვავებულს, მაგრამ საერთო საწუხარით გაერთიანებულს - მარტოობის გაუსაძლისი შიშით შეპყრობილ ადამიანთა და ნეო-ადამიანთა სამყაროს აღწერს მიშელ უელბეკი თავის წიგნში „კუნძულის შესაძლებლობა''.

კუნძულ რეუნიონზე დაბადებული ფრანგი მწერლის რომანში, რომელსაც გამოცემისთანავე გონკურებს უქადდა კრიტიკაცა და ავტორიც[2], მკითხველს კიდევ ერთხელ მიეცა შესაძლებლობა დარწმუნებულიყო იმაში, რომ მზიქვეშეთში არაფერია ახალი; და სანამ ხსოვნა შემორჩა „ვინც წინათ იყო და მომდევნოთაც''[3], უელბეკს სურს დაგვაფიქროს, რომ მხოლოდ შიშში შეიმეცნება თავისუფლება, სიყვარულის წამიერ გრძნობაში – მარადისობა. სწორედ ამიტომ უბრუნდება ფრანგი მწერალი თავის მუდმივ საწუხარს და ამჯერად ფანტასტიკის დაბურველში ახვევს კლონების მიამიტურ, სევდანარევ აღფრთოვანებას, ხან კი ინსტინქტებს დამონებული, გადაღლილი ადამიანის ცინიზმამდე დაყვანილ აღსარებას.

14. რამდენიმე საუკუნეს ითვლის ესპანურენოვნი ლექსიკონების ისტორია და იგი წარმოდგენილია ლექსიკონების საკმაოდ ფართო სპექტრით. პირენეის ნახევარკუნძულზე ლექსიკონების პირველი ნიშნები ჯერ კიდევ ემილიანურ გლოსებთან ჩნდება, ხოლო XV საუკუნის ბოლოდან იწყება მნიშვნელოვანი ლექსიკონების შექმნა. სწორედ ლექსიკონების თემატური მრავალფეროვნება განვიხილეთ კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებით და გავაანალიზეთ ისეთი მნიშვნელოვანი საკითები, როგორიცაა: ლექსიკონის აგებულება, შინაარსობრივი და ვიზუალური მხარე და ა.შ.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ოქროს ხანა, რადგან სწორედ XVI-XVII საუკუნეებში იქნება როგორც ბილინგვური, ისე მონოლინგვური ლექსიკონების დიდი ნაწილი. ორენოვანი ლექსიკონების ისტორია იწყება ანტონიო ნებრიხას ცნობილი ლექსიკონით „Diccionarium latino-hispanicum“ (1492 წ.), შემდეგ კი იქნება არაბულ-ესპანური (¨Vocabulario arábigo en letra castellana¨, Pedro de Alcalá, 1505 წ.), ტოსკანურ-კასტილიური (¨Vocabulario de las dos lenguas, toscana y castellana¨, Cristóbal de las Casas, 1570 წ.), ესპანურ-ინგლისური (¨A dictionary in Spanish and English¨, John Minshew, 1599 წ.) და ფრანგულ-ესპანური (¨Tesoro de las lenguas francesa y española¨, Cesar Oudin, 1607 წ.) ბილინგვური ლექსიკონები.

განსაკუთრებით უნდა აღნიშნოს, ესპანურ-ქართული ლექსიკონების საკითხი. ამ ეტაპზე, მხოლოდ ერთი ესპანურ-ქართული (ასევე, ქართულ-ესპანური) ლექსიკონი არსებობს („Diccionario espaსol-georgiano“, ირაკლი ვახვახიშვილი, 2002 წ.), რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს სრულყოფილად, რადგან ლექსიკონში შეტანილია მხოლოდ 22 000 სიტყვა და შეიძლება ითქვას, რომ არის ბევრი უზუსტობა.

ამრიგად, მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ყველა ზემოხსენებული ლექსიკონის ანალიზი, რაც ნათლად წარმოგვიდგენს ესპანური ენის ლექსიკოგრაფიის ისტორიულ მონახაზს და გაგვაცნობს კასტილიური ენის ლექსიკოგრაფიის თანამედროვე მდგომარეობას.

15. იტალიური და ქართული ენების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, დრო არის ყოფიერების ფორმა, ის იზომება და თანმიმდევრულია; ორივე ენაში დრო კონცეპტუალიზებულია როგორც:

სწორხაზოვანი დრო, დრო რომელიც გაგებულია როგორც სიდიდე, ხანგრძლიობა, რომელშიც ადგილი აქვს გარკვეულ მოვლენათა თანმიმდევრობას და მათ შორის გარკვეული ურთიერთკავშირს; შეუძლებელია მისი მობრუნება, ვინაიდან ის სამუდამოდ წარმავალია (il fluire – დრო მიედინება, lo scorrere – დრო გარბის...)

რაც შეეხება წრიულ, ციკლურ დროს (ერთი ციკლი ცვლის მეორეს და ეს უსასრულოდ მეორდება), „შეზღუდული სახით ყველა კულტურაშია წარმოდგენილი დროის ციკლური კონცეპტი, რადგანაც არის ისეთი მიკროსკოპული ციკლები, როგორიცაა დღე და ღამე ან წელიწადის დროები“. (B.Comrie, 2000:4)

წრიულ, ციკლურ დროში შემოვა წელიწადის დროების, თვეების, კვირის დღეების დასახელებანი; ის კონცეპტუალიზებულია ორივე ენაში. დრო დანაწევრებულია როგორც ზოგადად: periodo – პერიოდი, spazio / intervallo di tempo – დროის მონაკვეთი; ისე კონკრეტულად: un anno – წელი, un mese – თვე, un giorno – დღე; წრიული დრო შესიტყვების დონეზეც არის რეალიზებული ორივე ენაში, თუმცა, რაოდენობრივი თვალსაზრისით, ვერ შეედრება სწორხაზოვან დროს: in breve volgere di tempo - მოკლე დროში – დროის მოკლე *მონაკვეთში, დატრიალებაში, ბრუნვაში.* ქართულში გვაქვს: დროთა ბრუნვა.

ლექსიკოგრაფიულ წყაროებში მოცემული მაგალითების საფუძველზე შეგვიძლია გამოვყოთ დრო როგორც გარკვეული მომენტი. დროის ეს კონცეპტი ფართოდ არის დამუშავებული ორივე ენაში: ხდება მოვლენათა გარკვეული ხარისხობრივი ცვლილება, რაც განაპირობებს იმას, რომ დგება ახალი მომენტი, მაგალითად:

ogni cosa a suo tempo – ყველაფერს თავისი დრო აქვს. è tempo che tu parta – შენი წასვლის დროა! (ერთი მდგომარეობა მეორით უნდა შეიცვალოს). ამ შემთხვევებში ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ **ფუნქციონალურ დროზე** (დრო თავის თავად), ანუ დროის იმგვარ კონცეპტუალიზაციაზე, რომელიც იქმნება მატერიალური ობიექტების თუ მოვლენების ხარისხობრივად ახალ მდგომარეობათა თანმიმდევრული ჩანაცვლებით.

დროის მხატვრული გადააზრების საფუძველზე კი ის ორივე ენაში ერთ შემთხვევევაში რეალიზდება როგორც „მოწინააღმდეგე“, რომელსაც ზიანი მოაქვს, მეორე შემთხვეევაში როგორც „მეგობარი“, რომელიც ყველაფერს კურნავს და თავის ადგილზე ალაგებს, მესამეში კი რაღაც „ღირებული“, „მნიშვნელოვანი“, რომელიც არ უნდა დავკარგოთ.

16. მოხსენება ეძღვნება ტექსტის სახეობის, კერძოდ, სიგელების ინტერლინგვურ შედარებას, კერძოდ კი მეჩვიდმეტე და მეთვარამეტე საუკუნის გერმანული და ქართული ჩუქების სიგელების რამდენიმე თვალსაზრისით შეპირისპირებას. სიგელი, როგორც ტექსტის სახეობა, პრაგმალინგვისტური თვალსაზრისით შედგება (წერილობითი) სამეტყველო ქმედებებისაგან. სიგელის ცალკეული ნაწილების ურთიერთმიმართება, სემანტიკური და კომუნიკაციურ-პრაგმატიკული ურთიერთკავშირი წარმოდგენილია ეგზემპლარული ანალიზის მეშვეობით. შედარება ემყარება ტექსტის სახეობის დეფინიციის პრაგმატიკულ და ტექსტის თემატურ დონეს. შეპირისპირების მიზანია ორივე ენაში ტექსტის სახეობისათვის მახასიათებლების გამოპირობება, ტექსტის სახეობის შეპირისპირების მიზნით გამოყენებულია მორფოსინტაქსური, ტექსტის ლინგვისტიკური და სტილური რეალიზაციის შესაძლებლობები.

17. მოხსენებაში განხილულია ინტერნაციონალიზაციის არსი და მნიშვნელობა უცხოურ ენათა ფილოლოგიის დარგობრივ სწავლებაში, რაც უწინარეს ყოვლისა გარდა სპეციალური დარგობრივი კომპეტენციების განვითარებისა თავის მხრივ გულისხმობს კულტურათა დიალოგის საფუძველზე უცხოური კულტურის გაცნობიერებას, შესწავლას და კულტურათა სპეციფიკის ფოკუსიდან ტექსტზე დაფუძნებული ფილოლოგიური სწავლებისა და კვლევების განვითარებას.

18. მოხსენებაში წარმოდგენიალია ტიპოლოგიურად განსხვავებული ენების პარალელური კორპუსების ხეების ბანკის აგებისას წამოქმნილი სირთულეების დაძლევის მცდელობები. პარალელური კორპუსი წარმოადგენს ენობრივ რესურსებს, რომლებიც მოიცავენ ტექსტებსა და მათ თარგმანებს, სადაც ტექსტები, აბზაცები, წინადადებები და ერთმანეთთან არის შეთანადებული. ბოლო ათწლეულში ტექსტების კორპუსები სასარგებლო აღმოჩნდა არა მხოლოდ ბუნებრივი ენის დასამუშავებლად, მაგ., მანქანურ თარგმანში და მულტილინგვურ ლექსიკოგრაფიაში, არამედ აუცილებელად იქნა მიიჩნეული ენის ემპირიულ კვლევისათვის კონტრასული კვლევებსა და თარგმანმცოდნეობაში.

ხშირად ხეების ბანკი ეფუძნება კორპუსს, რომელიც უკვე ანოტირებულია მეტყველების ნაწილების მიხედვით შესაბამისი თეგებით (ე.წ. part-of-speech tags). ანოტაცია შესაძლოა ვარირებდეს, დაწყებული უშუალო შემადგენლებით ვიდრე სინტაქსურ დამოკიდებულებათა მიმართებებადე ან ტექსტო-გრამატიკულ სტრუქტურებამდე.

19. მოხსენებაში ნაჩვენებია, თუ სად არის კორპუსის ლინგვისტიკის მეთოდების შესაძლებლობების ზღვარი, რა სახის მონაცმების მოპოვება შეიძლება კორპუსის ლინგვისტიკის რაოდენობრივი მეთოდის მეშვეობით, რა გზით შეიძლება მისი თვისებრივი მეთოდით შევსება და ამგვარად უფრო სრულყოფილი შედეგების მიღება კორპუსისა და დისკურსის კვლევებში.

20. მოხსენებაში განხილულია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ინტერდისციპლინური პროგრამების შექმნის აუცილებლობას, მოთხოვნები, რომელთაც თანამედორვე სამყაროს «ინფომატიზაცია» უყენებს ჰუმანიტარულ მეცნიერებებს: გაჩნდა ახალი და სწრფად მზარდი «ციფრული ჰუმანიტარული მეცნიერებები». მოხსენაბში წარმოდგენილი და გაანალიზებულია გერმანულ უნივერისტეტებში შემოთავაზებული ინტერდისციპლინური საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები, განხილულია ამ კუთხით საქართველოში ჰუმანიტარულ, კერძოდ, ფილოლოგიების მიმართულებით არსებული მდგომარეობა, რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას საქართველოში ფილოლოგიის დისციპლინაში ტექნოლოგიური მეთოდების სწავლებისა და გამოყენების მიმართებით.

21. არათარგმნადი კულტურგეოგრაფიული რეალიები და მათი ეკვივალენტები

წინამდებარე გამოკვლევა მოიაზრება როგორც გეოგრაფიულ სახელთა საუბკლასის გრამატიკულ-სემანტიკური ასპექტებისადმი მიღვნილი ციკლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი და მისი მიზანია, შესასწავლი ობიექტიდან საგანგებოდ გამოყოს ის სახელები, რომელნიც ერთდროულად არიან მარკირებულნი როგორც პროპრიალური, ისე უშუალოდ დესიგნატიურ-სემანტიკური მახასიათებლებით, რის გამოც სპეციფიკურ სირთულეებს ქმნიან ტრანსფერირების თვალსაზრისით.

ზემოაღწერილი ტიპის სახელთათვის ისეთი ეკვივალენტების შესარჩევად, რომელნიც იქნებიან ერთდროულად მორგებულნიცა და მეცნიერულად არგუმენტირებლნიც, ნაშრომში შემოთავაზებულია სამსაფეხურიანი პროცედურული ხერხი: პირველ ეტაპზე ხდება ზემოხსენებულ სახელთა კლასიფიკაცია მათ ზოგადსემანტიკასა და ფუნქციურ დატვირთულობაზე დაყრდნობით; მეორე ეტაპზე – მათში ჩადებულ პრორიალურ და კონკრეტულსემანტიკურ-დესიგნატიურ მარკერთა ხვედრითი წილის გარკვევა ერთმანეთთან მიმართებაში; მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით კი ხდება ტრანსფერირების ამა თუ იმ კონკრეტული მეთოდის მისადაგება სახელთა ცალკეული სუბკლასის რეპრეზენტატებისადმი.

22. მოხსენებაში გაანალიზებულია კ. გამსახურდიას რამდენიმე ლირიკული ნიმუში (კერძოდ, „ბერლინი“, „ქრისტე პარიზში 1999 წელს“), როგორც ურბანისტული ლირიკის პირველი ნიმუშები ქართული ლირიკის სივრცეში.

23. მოხსენება არის გოეთეს „ფაუსტის“ ფინალის სუმირების ცდა ინტერტექსტური თვალსაზრისით. აღნიშნულია, რომ ფინალის ინტერტექსტი ეფუძნება კონკრეტულ თეოლოგიურ და ფილოსოფიურ თხზულებებსა და კონცეპტებს: კერძოდ, ორიგენეს თეოლოგიურ ნაშრომს „ყოველთა შემოკრებისათვის“, პლატონის „ნადიმს“, ასევე არისტოტელესა და ლაიბნიცის *ენტელექიისა* და *მონადების* კონცეპტებს.

24. ფრ. ნიცშეს *ძალაუფლების ნებისა* და მ. ფუკოს *ცოდნის ნების* კონცეპტა საფუძვლზე მოხსენებაში გაანალიზებულია ჰორაციუსის კონცეპტთა - dulce და utile-ს დისკურსული ბუნება, რომელსაც ხშირად ეფუძნება ლიტერატურული კანონი, კერძოდ მ. რ. რანიცკის რომანის კანონი.

25. მოხსენებაში გაანალიზებულია ქართული ლიტერატურული მოდერნიზმის ფარგლებში შემუშავებული ლიტერატურული ტრადიციის გაგება, რომლის მიხედვითაც, ცალსახად უკუგდებულია რეალიზმის პოეტიკა და ესთეტიკა და წარსული ლიტერატურული გამოცდულებიდან ორიენტაცია აღებულია რუსთაველსა (ტ. ტაბიძე) და გურამიშვილზე (კ. გამსახურდია).
26. საერთაშორისო კონფერენციის მთავარი თემა იყო ტექსტისა და დისკურსის კვლევის თეორია და პრაქტიკა ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსის მიშელ ფუკოს დისკურსის ცნებასა და მის შემდგომ გერმანიაში განვითარებულ თეორიებზე დაყრდნობით. კონფერენციის თემატიკა მოიცავდა დისკურსის სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგიას და ინტერდისციპლინარული თანამშრომლობის შესაძლებლობებს. წარმოდგენილი იყო 37 მოხსენება. კონფერენციაში თსუ-სა და საქართველოს სხვა უნივერსიტეტების, ასევე ერევნის და ანკარის უნივერსიტეტის გერმანისტებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს გერმანიასა და შვეიცარიაში მოღვაწე გამოჩენილმა გერმანისტებმა, მათ შორის დისკურსის მსოფლიოში ცნობილმა გერმანელმა მკვლევრებმა პროფ.დიტრიჰ ბუსემ და პროფ. ინგო ვარნკემ, ასევე პროფესორებმა ჰეს-ლიუტიხმა, ბერნდ შპილნერმა, ულრიხ ამონმა და ჰელგა კოტოფმა და სხვებმა.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მანანა რუსიეშვილი და რუსუდან დოლიძე	Filmic and Verbal Metaphors	14–17 ივლისი, პრაღა
2	მანანა რუსიეშვილი და რუსუდან დოლიძე	Space and Metaphors	3–6 ნოემბერი, ლონდონი
3	ნინო დარასელია	*Disability Etiquette from the Standpoints of Face and Politeness Theories* (‚უნარშეზღუდულთა ეტიკეტი სახისა და თავაზიანობის თეორიების თვალსაზრისით’)	1-3 ივლისი, არა/თავაზიანობის მეცხრე საერთაშორისო კონფერენცია : არა/თავაზიანობა და გლობალიზაცია (9th International Im/politeness Conference : Im/politeness and Globalization). ათენის ეროვნული და კაპოდისტრიის უნივერსიტეტი, საბერძნეთი. http://politeness-2015.enl.uoa.gr
4	ნინო დარასელია	Georgian Blessing Formulas from the Standpoints of Face and Politeness Theories (ქართული ლოცვა-კურთხევის ფორმულები სახისა და თავაზიანობის თეორიების თვალსაზრისით)	18-20ივნისი, საერთაშორისო კონფერენცია სოციოლოგიის გლობალიზაცია (Globalizing Sociolinguistics) ლაიდენის უნივერსიტეტი, ნიდერლანდები. http://www.hum.leiden.edu/lucl/globalising -sociolinguistics/
5.	მანანა გელაშვილი	James Joyce: Language as a Problem	რომი, 1-3 თებერვალი.
6	ინესა მერბიშვილი	Number Six in Connection with the Life and Works of the	1-6 July, 2015 University of Gdansk, Poland

		6th Lord Byron	
7	Tsiuri Akhvlediani, **George Kuparadze**	**Phraseology - Cultural Code of Ethnicity** (On the material of French, English, and Georgian languages)	9 -11 Juin, Bucarest, Romania
8	Tsiuri Akhvlediani, **George Kuparadze**	**« Caractéristiques typologiques de l'intonation des langues non-parentées** (le franɷais, l'anglais, le russe, le gɻorgien) »	May 21-23, Prague, Czech Republic Institute of Phonetics Faculty of Arts, Charles University in Prague,
9	**George Kuparadze**	Formation of Speech Sounds in Children	May 21-23, Prague, Czech Republic Institute of Phonetics Faculty of Arts, Charles University in Prague,
10	ირინა გველესიანი	ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა ქართველი სტუდენტების ლინგვისტური კომპეტენციის ფორმირებაზე	5 მარტი, კიევი, უკრაინა.
11	დარეჯან თვალთვაძე, ირინა გველესიანი	გლობალიზაცია და მისი როლი პოსტ-საბჭოთა უმაღლესი სასწავლებლების განვითარებაში (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე)	22-23 მაისი, რეზეკნე, ლატვია.
12	ირინა გველესიანი	ცნებათა სქემური განაწილება, როგორც დიგიტალური კორპუსის შექმნის წარმატებული საფუძველი	2-4 სექტემბერი, ორლეანი, საფრანგეთი.
13	ირინა გველესიანი	"საკუთრების მინდობის" წარმოშობის ინტერპრეტაცია სიღრმისეული ტერმინოლოგიური ანალიზის საფუძველზე	4-6 ივნისი, ქლუჯ-ნაპოკა, რუმინეთი.
14	ირინა გველესიანი	ევროკავშირის პოლიტიკა საკუთრების მინდობის მსგავსი მექანიზმების განვითარებასთან მიმართებაში - ბოლოდროინდელი გამოწვევები, მიღწევები, პერსპექტივები და ტერმინოლოგიური ანალიზი	23-24 ოქტომბერი, იაშის უნივერსიტეტი, რუმინეთი.
15	**Marina Andrazashvili**	Grammatik des Deutschen aus dem Blickwinkel der Muttersprache?	50. Lunguistisches Kolloquium in **Innsbruck/Österreich**. Abstraktbuch, S. 73. 03.09.–05.09.2015 http://www.uibk.ac.at/gtw-org/abstracts_final.pdf
16	**Марина Андразашвили (соавтор Наталия Басилая)**	**Обучение параллельным русским и немецким вопросительно-апеллятивным языковым средствам в условиях многоязычия.**	XIII Международный Конгресс Мапрял „Русский язык и литература в пространстве мировой культуры", 13–20 сентября 2015 г. в г. Гранада / Испания
17	**Marina Andrazashvili**	**Deutschunterricht in Georgien – eine Retrospektive oder ein Blick**	26. Kongress der DGFF „Sprachen

		nach vorne.	Lehren“ 30.09.–03.10.2015, in Ludwigsburg. Kongressplaner. Abstractbuch S. 42. http://www.kongress.dgff.de; http://kongress.dgff.de/de/sektionen/sektion-3.html
18	Marina Andrazashvili	Geographische Landschaften Deutschlands – eine Forschung unter kulturgeographischem Gesichtspunkt.	Kulturgeographisches Kolloquium des Instituts fٛr Humangeographie unter der Leitung von Prof. Dr. Hans Gebhart, Universität Heidelbergeidelberg, 08.01.2015
19	Marina Andrazashvili	Anthroponyme und Toponyme zwischen Translation und Paraphrasierung.	Linguistisches Kolloquium des Germanistischen Seminars unter der Leitung von Prof. Dr. Jorg Riecke, Universität Heidelberg Heidelberg, 20.01.2015
20	Marina Andrazashvili	Nomina Propria als eine Prٛpositionalphrase, ihre Grammatik und Semantik.	Linguistisches Kolloquium des IDS unter der Leitung von Prof. Dr. Gisela Zifonun . Mannheim, 14.01.2015
21	Marina Andrazashvili	Realien der Nordsee und ihre Unٛübersetzbarkeit.	Toponomastisches Kolloquium unter der Leitung von Prof. Dr. Albrecht Greule . Germanistisches Institut der Universität Regensburg. Regensburg, 07.01.2015
22	Mujiri, Sophie	Fٛorderung der mehrsprachigen Kompetenzen im Bereich der Aussprache	Nordisch-Baltisches Germanistiktreffen 10-13 Juni 2015. Tallinn
23	Mujiri, Sophie	THE MISSION OF THE MULTICULTURAL LITERATURE IN PROTECTING AND PRESERVING CULTURAL VERSATILITY	Conference at Aoyama Gakuin University, 4 August, 2015. “Central Asia and the Central Eurasia,Today and future-the role of Japan”.
24	Mujiri, Sophie	Plurilingual phonetics for Professional Competence Formation.https://c-linkage.com/abs/iccees2015/program/program2.php V-1-19 Language Pedagogy	IX ICCEES World Congress, 3-8 August, 2015. Makuhari, Japan.
25	С. А. Муджири, И. Б. Капанадзе	Контрастивное исследование акцентирования одноударных слов в грузинском, немецком и русском языках	Гранада (Испания) 13-20 сентября 2015 г..

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1. **კინემატოგრაფიული და ვერბალური მეტაფორები**

მოხსენებაში განხილულია, თუ როგორ ხდება ტრადიციული, მონომოდალური ვერბალური მეტაფორის ტრანსპოზოცია მონომოდალურ, არავერბალურ (ვიზუალურ) ან მულტიმოდალურ (სმენით და ვიზუალურ) მეტაფორად. ემპირიული მასალა მოიცავს სამ წყაროს: რომანს 'ხულიგნები', ჰარი გრეის ავტორობით, ფილმის 'ერთხელ ამერიკაში'სცენარს, და თავად ფილმს სერჯიო ლეონეს რეჟისორობით.

კვლევა მოიცავს შემდეგ მომენტებს : 1) ვერბალური და არავერბალური მეტაფორების იდენტიფიკაცია 2) მონომოდალური მეტაფორების ფილმში ტრანსპოზიციის კვლევა. ; 3) ფილმის მეტაფორის კოდირებისა და დეკოდირების პრინციპების დადგენა. კვლევის შედეგად დადგინდა მონომოდალური ვერბალური მეტაფორების ფილმის მეტაფორებად გარდაქმნის რამდენიმე სახე: 1) როდესაც მონომოდალური ვერბალური მეტაფორების გარდაიქმნება მონომოდალურ ვიზუალურ/ბგერით მეტაფორად; 2) მონომოდალური ვერბალური მეტაფორა ხდება მულტიმოდალური, ფილმური (ვიზუალურ–ბგერითი) მეტაფორა

2. **სივრცე და მეტაფორა**

ლეკოფისა და ჯონსონის თეორის მეტაფორას მიიჩნევს ცხოვრების მნიშვნელოვან ელემენტად. Lakoff & Johnson, 1980).ვიკო და ლოტმანის კი ფიქრობენ, რომ მეტაფორა არის ანტროპოცენტრული აზროვნების ფორმა. VIco, 1984; Lotman, 2005).

ნაშრომი ეძღვნება ინგლისურ და ქართულ ენებში *სივრცის დიფერენციაციის მეტაფორული ასპექტების კვლევას.*

3. უნარშეზღუდულთა ეტიკეტი სახისა და თავაზიანობის თეორიების თვალსაზრისით

უნარშეზღუდულთა მიმართ პატივისცემის გამოხატვა გლობალიზებული სამყაროს მოქალაქეთა ერთ-ერთი ვალდებულებაა. თუმცა მნიშვნელოვანი საკითხია თუ როგორ განვახორციელოთ ეს: როგორ გამოვხატოთ ენობრივი საშუალებების მეშვობით, ლინგვისტურად, პატივისცემა აღნიშნული უმცირესობის წარმომადგენელთა მიმართ? როგორ მოვახდინოთ მათი სახელდება? როგორი ვერბალური თუ არავერბალური ქცევაა მიჩნეული არა/თავაზიანად მათთან ურთიერთობისას? ლინგვისტთა და ადამიანის უფლებების დამცველთა მიერ შექმნილი ტერმინები ყოველთვის მისაღებია მათთვის?

ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას განიხილოს ზემოჩამოთვლილი საკითხები სახისა და თავაზიანობის თეორიების თვალსაზრისით და დაადგინოს რამდენად რეალიზდება უნარშეზღუდულთა ეტიკეტში ასახული ნორმები რეალურ ცხოვრებაში. ემპირიული მასალა მოიცავს ინგლისური და ქართული ზეპირმეტყველებითი და წერილობითი მედია-ჟანრების ნიმუშებს, ვიდეო-რგოლებს, ინგლისურ და ქართულ სოციალურ ქსელებიდან მოპოვებულ მასალას, სალექსიკონო მასალას და ასევე უშუალოდ ავტორის დაკვირვების შედეგად გაკეთებულ ჩანაწერებს.

4. ქართული ლოცვა-კურთხევის ფორმულები სახისა და თავაზიანობის თეორიების თვალსაზრისით

ნაშრომის მიზანია დაადგინოს თუ როგორ რეალიზდება ლინგვისტურად ქართული კულტურისათვის დამახასიათებლი სახისა და თავაზიანობის ნორმები ქართულ

ლოცვა –კურთხევის ფორმულებში. ნაშრომის თეორიულ საფუძველს ქმნის სახისა და თავაზიანობის თეორიები (გოფმანი 1955, ლიიჩი 2005, სკოლონი & სკოლონი 1997, ბრაუნი & ლევინსონი 1987, უაოტსი 2003), საკვლევ მასალად გამოყენებულია წერილობითი და ზეპირმეტყველებითი დისკურსის ნიმუშები და სალექსიკონო მასალა. თითოეული ლოცვა-კურთხევის ფორმულა გაანალიზებულია სტრუქტურულად, სემანტიკურად და პრაგმატიკულად, კონკრეტული სოციალურ-კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით.

5. მანანა გელაშვილი, ჯეიმზ ჯოისი: ენა, როგორც პრობლემა.

ლიტერტურა, როგორც ვერბალური ხელოვნება, ენას ყოველთვის აღიქვემდა დ აღიქვამს, როგორც გამოხტვის სშუალებსა და ამავე როს, როგორც მიზანს. თუმცა ჯეიმზ ჯოისის შემოქმედებაში იგი ამავე დროს წრმოადგენს პრობლემს, რომელიც თავს იჩენს, როგორც თემატურ დონეზე (ენა ერთერთი ის თემაა, რომელზეც ჯოისის პერსონაჟები მსჯელობენ მის ყველა ნწარმოებში: „დუბლინელები", „ხალგაზრა ხელოვანის პორტრეტი", „ულისე") ასევე ლინგვისტურ დონეზე, რადგან თავის შემოქმეებში ჯოისი ცდილობს გაარღვიოს ენის შესძლებლობის საზღვრები და შექმნას ახლი ენა, რომელიც „განსხვდება საკუთრი თვისგან." (დერიდა)

ჯოისის მთელი სმწერლო კარიერა შეიძლება განვიხილოთ, როგორც „გავსხვავებული ენის "ძიება. რომელიც მშობლიური გელურის უარყოფით იწყება („უბლინელები", „პორტრეტი"), რომელსაც ამავე დროს „დამპყობელთა" ენის მიმართ გაუცხოება ახლავს („პორტრეტი", „ულისე"). „ულისეში" და კიდევ უფრო მეტად „ფინეგნში" ჯოისი ეკლექტურ და უკიდურესად ალუზიურ ენას ქმნის, რომელშიც კონტექსტუალური ასოციაციების სიმრავლე უსასრულოა, ხოლო ენა ავლენს უნარს „გამოხტოს რაღაც სხვა, ვიდრე, რასაც ამბობს" (ლაკანი).

6. ინესა მერაბიშვილი, რიცხვი ექვსი ლორდ ბაირონის ცხოვრებასა და შემოქმედებაში

თანახმად პითაგორასი, რიცხვებს გააჩნიათ განსაკუთრებული მისტიური თვისებები. რიცხვების სისტემაზე მუშაობდნენ არა მხოლოდ ძველი ბერძნები, არამედ ძველი ეგვიპტელები, რომაელები და ბაბილონელები. ისინი პითაგორას მსგავსად მიიჩნევდნენ, რომ ყველაფერი სამყაროში რიცხვებით იყო დაკავშირებული და ისინიც ამ იდუმალი კავშირების გარკვევას ცდილობდნენ.

რიცხვების სისტემამ განსაკუთრებული განვითარება პოვა მაშინ, როდესაც ჩვენი წელთაღრიცხვის VIII საუკუნეში შემოიტანეს ნული, როდესაც XVII საუკუნეში გოდფრიდ ლაიბნიცმა ბინარული რიცხვების განვითარება შემოგვთავაზა, ხოლო XIX საუკუნეში ადა ლავლეისმა, დიდი ინგლისელი პოეტის ლორდ ბაირონის ერთადერთმა ქალიშვილმა, პირველი გამოთვლითი მანქანის შექმნის საფუძვლები დასახა და ამით თანამედროვე კომპიუტერის შექმნას დაუდო დასაბამი.

მიუხედავად იმისა, რომ ნუმეროლოგია ფსევდო მეცნიერებად არის მიჩნეული, თავად რიცხვების მისტიური თვისებები ფართო წრეების ყურადღებას იმსახურებენ. დიდი ინგლისელი პოეტი, ჯორჯ გორდონ ბაირონი 6-ე ლორდ ბაირონი გახლდათ. მოხსენების მიზანი იყო, გაგვერკვია როგორ მუშაობს რიცხვი ექვსი მის ცხოვრებასა და შემოქმედებაში.

7. ც. ახვლედიანი, გ. ყუფარაძე
ინტონაციის ტიპოლოგიური დახასიათება არამონათესავე ენებში
/ფრანგული, ინგლისური,რუსული და ქართული ენების მასალაზე/

წარმოდგენილ ნაშრომში მიმოხილულია ინტონაციურ სტრუქტურათა ტიპოლოგიური

შედარება ზესეგმენტურ დონეზე არამონათესავე ენებში. ერთი მხრივ, აღნიშნული მოვლენა ემსახურება ენათა ტიპოლოგიურ კვლევას, რაც არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ მონათესავე ენებით. მეორე მხრივ, ენათშორისი ტრანსფერების მაგალითზე გამოთქმებში შეცდომების თავიდან აცილებას.

სტატიაში განხილულია სამი ტიპის ინიტონაციური ფრაზა: 1.თხრობითი, 2. კითხვითი და 3. ბრძანებითი ფრანგულ, ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებში. ჩატარებული კვლევა ექსპერიმენტული ხასიათისაა და განხორციელებულია პრაატის მოთხოვნილებათა მიხედვით.

როგორც ჩატარებულმა სამუშაომ გვიჩვენა, მელოდიკური კონტურები საანალიზოდ წარმოდგენილ ენებში მსგავსია, გარდა ზოგიერთი გამონაკლისებისა. და მაინც, მიუხედავად ზემოთქმულისა, კვლავაც შეინიშნება აზრთა სხვადასხვაობა მკვლევართა შორის დივერგენციისა და კონვერგენციის პრობლემებიდან გამომდინარე, რაც ენათა და საზოგადოებათა თვითმყოფადობის მაჩვენებელია.

8. **ც. ახვლედიანი, გ. ყუფარაძე**
ინტონაციის ტიპოლოგიური დახასიათება არამონათესავე ენებში
/ფრანგული, ინგლისური,რუსული და ქართული ენების მასალაზე/

წარმოდგენილ ნაშრომში მიმოხილულია ინტონაციურ სტრუქტურათა ტიპოლოგიური შედარება ზესეგმენტურ დონეზე არამონათესავე ენებში. ერთი მხრივ, აღნიშნული მოვლენა ემსახურება ენათა ტიპოლოგიურ კვლევას, რაც არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ მონათესავე ენებით. მეორე მხრივ, ენათშორისი ტრანსფერების მაგალითზე გამოთქმებში შეცდომების თავიდან აცილებას.

სტატიაში განხილულია სამი ტიპის ინიტონაციური ფრაზა: 1.თხრობითი, 2. კითხვითი და 3. ბრძანებითი ფრანგულ, ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებში. ჩატარებული კვლევა ექსპერიმენტული ხასიათისაა და განხორციელებულია პრაატის მოთხოვნილებათა მიხედვით.

როგორც ჩატარებულმა სამუშაომ გვიჩვენა, მელოდიკური კონტურები საანალიზოდ წარმოდგენილ ენებში მსგავსია, გარდა ზოგიერთი გამონაკლისებისა. და მაინც, მიუხედავად ზემოთქმულისა, კვლავაც შეინიშნება აზრთა სხვადასხვაობა მკვლევართა შორის დივერგენციისა და კონვერგენციის პრობლემებიდან გამომდინარე, რაც ენათა და საზოგადოებათა თვითმყოფადობის მაჩვენებელია.

9. გიორგი ყუფარაძე, სამეტყველო ბეგერების ჩამოყალიბება ბავშვებში

/ინგლისური და ქართული ენების მასალაზე/

ბავშვები, როგორც წესი, ენისა და მეტყველების დაუფლების უნარით იბადებიან, მაგრამ ამავდროულად, ენის დაუფლების ჩვენას ისინი მოსმენით, მათ ირგვლივ არსებულ ენისა თუ ენათა წიაღში არსებულ სიტყვათა აღქმითა და გამეორებითაც ახორციელებენ.
ყველა ბავშვი ენას მსგავსი თანამიმდევრობით ეუფლება. მხოლოდ დროის ფაქტორი შეიძლება იყოს განსხვავებული ენათა მიხედვით. დაბადების მომენტიდანვე ახალშობილი აქტიურად იყენებს ყვირილსა და მიმიკას საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით. მას ძალუძს მშობელი დედის ხმა სხვათა ხმათაგან განასხვაოს(ბერგერი, 2000). თუმცაღა მეტყველების დაუფლებისაკენ სვლა და ენის გამოყენება გარკვეული ინტერვალებით წარმოჩინდება.
როგორ ხსნიან თეორეტიკოსები ენობრივი განვითარების პროცესს. სამი მნიშვნელოვანი თეორიის საფუძველზე შეგვიძლია ვიქონიოთ წარმოდგენა თუ როგორ ვითარდება ენა.

წარმოდგენილი ნაშრომი ახალშობილებში სამეტყველო ბგერების ჩამოყალიბება-ფორმირების კონტრასტულ კვლევას ეხება. საკვლევი მასალა ორი ენის (ქართული და ინგლისური) მკვეთრად განსხვავებულ ლექსიკურ ინვენტარსა და სტრუქტურულ ჩარჩოს გულისხმობს. ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ბავშვები, ადრეულ ასაკში, ბგერათა გაცილებით მეტ რაოდენობას ფლობენ სხვადასხვა სახის კონკრეტული თუ წარმოსახვითი რეფერენციების გამოსახატად.

10. ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა ქართველი სტუდენტების ლინგვისტური კომპეტენციის ფორმირებაზე

”გლობალიზაცია, როგორც უნივერსალური ურთიერთკავშირებისაკენ მიმართული მოძრაობა, ეფუძნება საკომუნიკაციო საშუალებებს” (ალავერდიევი, 2013). ენა საკომუნიკაციო პროცესების წარმმართველი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. წინამდებარე ნაშრომში განხილულია ეხება უცხო ენების სწავლების ეფექტური მეთოდები და მათი დანერგვის მექანიზმები.

11. გლობალიზაცია და მისი როლი პოსტ-საბჭოთა უმაღლესი სასწავლებლების განვითარებაში (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე)

წინამდებარე ნაშრომში განხილულია გლობალიზაციის პროცესები და მათი გავლენა პოსტ-საბჭოთა საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარებაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე ინოვაციური პროცესების მაგალითზე. წარმოდგენილია შემდეგი ძირითადი მიმართულებები: ***ინტერნაციონალიზაცია*** - უცხოური ცენტრების გახსნა, ერთობლივი პროექტებისა და გაცვლითი პროგრამების განხორციელება, საერთაშორისო საზაფხულო და ზამთრის სკოლების ორგანიზება; ***მოდერნიზაცია*** - 4-საფეხურიანი სწავლების სისტემის დანერგვა; ენციკლოპედიური ლექსიკონის შედგენა; ფაკულტეტების რესტრუქტურიზაცია და სხვა. აღნიშნული სტრატეგიების დანერგვა ქმნის სამაგალითო მოდელის იმ პოსტ-საბჭოთა უნივერსიტეტებისათვის, რომელთა ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ევროპის ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია.

12. ცნებათა სქემური განაწილება, როგორც დიგიტალური კორპუსის შექმნის წარმატებული საფუძველი

დღესდღეობით კორპუს ლინგვისტიკა ენათმეცნიერების ყველაზე სწრაფად განვითარებადი ქვედარგია. იგი ”აფასებს” ენას როგორც სოციალური პერსპექტივის თვალსაზრისით, ასევე თანამედროვე გლობალური საზოგადოების საჭიროებებიდან გამომდინარე.

ნაშრომში განხილულია მრავალენოვანი (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) კორპუსის აგების დეტალური აღწერა და საკუთრების მინდობასთან დაკავშირებული ტერმინების შესაბამისი ანალიზი.

13. ”საკუთრების მინდობის” წარმოშობის ინტერპრეტაცია სიღრმისეული ტერმინოლოგიური ანალიზის საფუძველზე

ტრასტის ინსტიტუტი კლასიკური ფორმით ჩამოყალიბდა XIV საუკუნეში, როგორც სამართლიანობის სამართლის (law of equity) ნაწილი. თუმცა, თავდაპირველად, საკუთრების მინდობის კონსტრუქციის მსგავსი ურთიერთობები ეგვიპტესა და იაპონიაში (ძვ.წ. 500 წ.) წარმოიშვა, მოგვიანებით კი (I-III სს.) რომის სამართალში ფიდუციური ურთიერთობების სახით ჩამოყალიბდა. წინამდებარე ნაშრომში შესწავლილია ”საკუთრების მინდობის” ინსტიტუტის წარმოშობის საკითხი ამ ინსტიტუტთან დაკავშირებული ტერმინოლოგიური ერთეულების სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე.

14. ევროკავშირის პოლიტიკა ”საკუთრების მინდობის მსგავსი” მექანიზმების განვითარებასთან მიმართებაში - ბოლოდროინდელი გამოწვევები, მიღწევები, პერსპექტივები და ტერმინოლოგიური ანალიზი

სადღეისოდ ”საკუთრების მინდობის” ინსტიტუტი ახასიათებს არა მარტო საერთო სამართლის კანონმდებლობას, არამედ სხვადასხვა მოდიფიკაციით მკვიდრდება კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის მქონე ქვეყნების კანონმდებლობებშიც. დამკვიდრების პროცესი საკმაოდ რთული და ეტაპობრივია. წინამდებარე სტატიაში

განხილულია დამკვიდრების პროცესის მიღწევები და გამოწვევები გერმანიის სამართლებრივ-ეკონომიკური სისტემის მაგალითზე. შესწავლილია ახლად-აღმოცენებული "საკუთრების მინდობის მსგავსი მექანიზმების" აღმნიშვნელი ტერმინოლოგიური ერთეულები და მათი შესაბამისობა უცხოენოვან ეკვივალენტებთან.

15. გერმანული ენის გრამატიკა ეროვნული გადასახედიდან?

(მოხსენება, წაკითხული *ლინგვისტურ კოლოკვიუმის 50-ე საიუბილეო შეკრებაზე* ინსბრუკში/ავსტრია)

ბოლოხანს საგრძნობლად იმატა გერმანელ ავტორთა მიერ უშუალოდ უცხოელთათვის შედგენილმა გერმანული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოთა რიცხვმა როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ პლანში, რომელნიც ყოველთვის ერთნაირი ეფექტურობით ვერ აწვდიან უცხოელებს მათთვის აქტუალურ სასწავლო მასალას. ამ მოვლენის განმაპირობებელ მრავალრიცხოვან ფაქტორთა ანალიზი ცალკე განსჯის საგანია. ამ კონტექსტში მით უფრო საჭიროდ გვეჩვენა, წინ წამოგვეწია ის უპირატესობანი, რომლებიც აქვს მშობლიური ენის გადასახედიდან და საკუთრივ ქართულენოვანი გერმანისტებისთვის (და არა ზოგადად შემსწავლელთათვის) შედგენილ გერმანული ენის გრამატიკას, რამდენადაც იგი მაქსიმალურად ითვალისწინებს, ერთი მხრივ, ოერივე ენობრივი სისტემის თავისებურებებსა, მეორე მხრივ კი, სამიზნე ჯგუფის ფილოლოგიურ პროფილს, და კონტრასტული ლინგვისტიკის პრინციპებზე დაყრდნობით – მაგრამ არა შეპირისპირებითი ანალიზის მეთოდოლოგიით – აღწერს სამიზნე ენის ანუ გერმანულის სიტემასა და მის ფუნქციონირებას; იმავდროულად აცნობს შემსწავლელთ გერმანულენოვან ლინგვისტურ ტერმინოლოგიასა და მათ ქართულ ეკვივალენტებს.

ნაშრომში ხდება ზემოხსენებული ტიპის გრამატიკის თეორიული წანამძღვრებისა და ამოსავალი პრინციპების განხილვა, კერძოდ, ჩვენ მიერ 2010–2012 წლებში შედგენილი და თსუ გამომცემლობის მიერ დასტამბულ *გერმანული ენის აკადემიური გრამატიკის ოთხტომეულის* მაგალითზე დაყრდნობით, თუმცა ისეთი ფორმით, რომ თვით ოთხტომეულის პრეზენტაცია კი არ იქცეს მოხსენების ღერძად, არამედ ის ემპირიული გამოცდილება, რომელიც ენის პრქტიკულ გამოყენებაზეა ორიენტირებული, ისევე როგორც თეორიულ პლანში ღირებული ზოგადი მსჯელობები, მიგნებული მეთოდები და რეკომენდაციები.

16. აპელატიურ-ინტერროგატიულ საშუალებათა პარალელური სწავლება რუსულსა და გერმანულში მრავალენოვნების ფონზე.[1)]

(მოხსენება XIII საერთაშორისო კონგრესზე „რუსული ენა და ლიტერატურა მსოფლიოკულტურის სივრცეში").

წინამდებარე გამოკვლევა არის ორი ავტორის – მარინა ანდრაზაშვილისა (გერმანისტი) და ნატალია ბასილაიასა (სლავისტი) – მიერ შესრულებული ლინგვოდიდაქტიკური პროფილის ერთობლივი ნაშრომი, რომელიც ასახავს მათ მიერ ინიცირებული ექსპერიმენტის შედეგებს.

ექსპერიმენტი ტარდებოდა თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ინტერნაციონალურ ჯგუფში. პრობანდები იყვნენ ქართველი, რუსი, აზერბეიჯანელი, უკრაინელი, სომეხი და ოსი ეროვნების სტუდენტები, რომლებიც სრულყოფილად მხოლოდ მშობლიურ ენას ფლობდნენ, რუსულსა და გერმანულს კი – საშუალოდ A1– A2 – B1 დონეზე.

ექსპერიმენტის მიზანი იყო, მრავალეროვნებისა და მრავალენოვნების ფონზე, დაახლოებით თანაბარი დარგობრივი უნარების მქონე, მაგრამ განსხვავებული ენობრივი წინარეცოდნის პირებში გამოგვევლინა ორი უცხოური ენის პარალელურად სწავლების შედეგები დარგობრივ ტექსტებზე დაყრდნობით. ტექსტების თემატიკა ითვალისწინებდა ინტერვიუს წარმართვის ტექნოლოგიების გამომუშავებასა და მასთან დაკავშირებული ლექსიკურ-გრამატიკული თემატიკის, კერძოდ, აპელატიურ-ინტერროგატიული წინადადებების, გამოყენების დაუფლებას; თემასთან დაკავშირებული ზეპირი ქმედებისა და წერითი უნარების განვითარებას.

ექსპერიმენტმა წარმოაჩინა ის კეთილმყოფელი ურთიერთზეგავლენა, რომელსაც ერთი ენა ახდენდა მეორეზე ენობრივი ტრანსფერირების მომენტის გაცნობიერებული თუ ინტუიტური გამოყენების გზით. მიღწეული შედეგები სრულყოფილადაა წარმოდგენილი და შეფასებული პუბლიკასიის დასკვნით ნაწილში.

17. გერმანული ენის სწავლების ტრადიციები საქართველოში – რეტროსპექტივა თუ პერსპექტივები?

(მოხსენება, წაკითხული *გერმანული ენის კვლევისა და სწავლების საზოგადოების მიერ ორგანიზებულ 26-ე კონგრესზე* ლუდვიგსბურგში/გერმანია)

საანოტაციოდ წარმოდგენილი მოხსენების სათაური ფაქტობრივად ერთი ქუდია, რომელიც ორ დამოუკიდებელ მოხსენებას აერთიანებს თავის თავში. თითოეული მათგანი ინდივიდუალურად შესრულდა ორი მკვლევარის მ. ანდრაზაშვილისა (ლინგვისტი) და ეკატერინე შავერდაშვილის (მეთოდისტი/პროფ.ილია უნი) მიერ. შესაბამისად მოხსენებას კონფერენციაზეც ორმაგი რეგლამენტი გამოეყო და ასევე ორი დამოუკიდებელი პუბლიკაციის სახით შევა საკონფერენციო მასალათა კრებულში. კერძოდ, მ. ანდრაზაშვილმა კონგრესს წარუდგინა თემის რეტროსპექტული/ისტორიული ნაწილი, თანამედროვეობასა და პერსპექტივებზე კი ისაუბრა ეკატერინე შავერდაშვილმა. ქვემოთ მიმოვიხილავთ მოხსენების მხოლოდ ისტორიულ, ანუ მ. ანდრაზაშვილი მიერ შესრულებულ ნაწილს.

წინამდებარე გამოკვლევა შემეცნებით-აღწერილობითი ხასიათისაა და ის მიზნად ისახავს, პირველად ჩვენს რეალობაში ასახოს და შეაფასოს საქართველოში გერმანული ენის სწავლება მთლიანობაში, როგორც პერმანენტული კულტურულ-ისტორიული პროცესი სხვა უცხოური ენების სწავლებისა და უცხოურ კულტურათა გავრცელების კონტექსში. ამდენად, საქართველოში არსებული ენების სწავლების ტრადიციები მოხსენებაში მიმოხილულია ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობის, სარწმუნოებრივი საფუძვლების, ცალკეულ ეპოქებში არსებული სოციალურ-კულტურული და ისტორიული ვითარების გათვალისწინებით, რომელნიც განაპირობებდნენ ასევე ენობრივ პოლიტიკას, შესაბამისად კი გერმანული ენის ადგილსა და ხვედრით წილს სხვა ენების – როგორც დასავლურის, ისე აღმოსავლურის – ფონზე და მათთან მიმართებაში.

გამოკვლევა საქართველოში უცხოური ენების სწავლების სამ პრიოდს გამოყოფს: ქრისტიანობის შემოსვლიდან ადრეშუასაუკუნეებრივ ხანამდე, თვით შუასაუკუნეებს და ცარიზმის პერიოდს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებდამდე.

გერმანული ენის შემოსვლის თარიღად ის ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით 1805 წელს ასახელებს. ემპირიული მასალის მოშველიებით აღწერს ცალკეულ პერიოდებში მისი სწავლების განმაპირობებელ ფაქტორებს, შემსწავლელთა მხრიდან მოტივაციის განმაპირობებელ ფაქტორებს, ისევე როგორც თვით დანიშნულებას – კულტურულ-

ესთეტიკურს, სამეცნიერო-შემეცნებითსა და პრაქტიკულს.

მოხსენება არ იფარგლება მხოლოდ წარსულით, რამდენადაც ის მსმენელს წარუდგენს ასევე ავტორის მიერ გოეთე-ინსტიტუტის მიუნჰენის ცრნტრის დავალებით შესრულებულ სტატისტიკურ კვლევას გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში საქართველოში არსებულ ენობრივ ვითარებასთან დაკავშირებით.

18. გერმანიის არეალები/ლანდშაფტები - აღწერა კულტურგეოგრაფიულ პლანში.

(მოხსენება, წაკითხული ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის გეოგრაფიის ინსტიტუტის *კულტურგეოგრაფიულ კოლოკვიუმის* საგანგებო სხდომაზე. ხელმძღვანელი პროფ. დოქტ. ჰანს გებჰარტი)

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გეოგრაფიული არეალების აღწერა კულტურგეოგრაფიული პოზიციებიდან მას შემდეგ იქცა ჩვენ მიერ დაგეგმილი ორენოვანი ლინგვისტური პროექტის *„გერმანიის გეოგრაფიულ სახელთა ქართული ეკვივალენტების ლექსიკონის“* შემაგენელ ნაწილად, რაც პროექტის დასრულებული თავების (ბუნდესლანდების: ბრაბდენბურგის, შლეზვიგ-ჰოლშტაინის, მეკლენბურგ-ფორპომერანიისა დ თიურინგიის) პრეზენტაცია შედგა თსუ გეოგრაფიის დაპარტამენტში პროფ. დოქტ. რევაზ გაჩეჩილაძის ხელმძღვანელობით. გეოგრაფთა გაერთიანებული რეკომენდაცია იყო, ლექსიკონს გაფართოებოდა პროფილი და ტოპონიმების ქართულ ეკვივალენტთათვის ასევე დაგვერთო კულტურგეოგრაფიული, მხარეთმცოდნეობრივი და ისტორიული ხასიათის ინფორმაცია. ეს რჩევა არგუმენტირებული იყო, ერთი მხრივ, საქართველოში ანალოგიური პროფილის საცნობარო ლიტერატურის არარსებობით, მეორე მხრივ კი, სამიზნე ჯგუფის მრავარიცხოვნებით.

დასახელებულ არგუმენტებს ჩვენი მხრიდან ემატებოდა ენობრივ პლანში ომონიმიის ფაქტორი, რაც არცთუ იშვიათი მოვლენაა გერმანულ ტოპონიმებში და უდაოდ საჭიროებს კომენტარს მათი დიფერენციაციის მიზნით. აღნიშნული ფენომენის აღსაწერად შევიმუშავე ტოპონიმთა თითოეული ნაირსახეობისთვის – ჰიდრონიმების, ორონიმების, ქორონიმების, დრუნონიმებისა და ა.შ. – მისადაგისი სემანტიკური მოდელი, რათა კომენტარს გარდა სარწმუნოობისა და კომპეტენტურობისა, იმავდროულად უნიფიცირებული ფორმაც მისცემოდა, მთლაინად აღწერას კი – სისტემური ხასიათი. მიღებული შედეგები ავსახე წინამდებარე მოხსენებაში, რომელსაც ჰაიდელბერგის გეოგრაფიის ინსტიტუტს კულტურგეოგრაფიული კოლოკვიუმის საგანგებო სხდომა დაეთმო.

19. Nomina Propria – ტრანსლირებასა და პარაფრაზირებას შორის.

(მოხსენება, წაკითხული ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის გერმანისტიკის სემინარის მუდმივმოქმედ *ტოპონომასტიკურ კოლოკვიუმზე.* ხელმძღვანელი პროფ. დოქტ. იორგ რიკე)

წინამდებარე მოხსენებაში ამოვდივართ იმ მოცემულობიდან, რომ ჭაშმარიტ nomina propria-დ მხოლოდ ანთროპონიმები და ტოპონიმები მივიჩნიოთ, მათში მკაფიოდ წარმოდგენილ პროპრიალურ მახასიათებელთა გამო, სუბკლასის სხვა რეპრეზენტანტები კი მხოლოდ ე.წ. *პირობით* საკუთარ სახელებად ჩავთვალოთ. მათი ტრანსფერირებისას საჭიროა ვიხელმძღვანელოთ პრინციპით, რომ სამიზნე ენაში არ უნდა ირღვეოდეს სახელის აღქმადობა და ინტერკულტურულ კონტექსტში მისი იდენტიფიციერებადობა. ამ პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად ოპტიმალურად მივიჩნიეთ ტრანსპოზიციის მეთოდის გამოყენება

(თვით ტერმინი შემოვიტანეთ მუსიკის სფეროდან).

თუმცა, მეორე მხრივ, ანგარიშგასაწევად მივიჩნიეთ ისეთი შემთხვევებიც, როცა ტრანსპოზიცია არ ხერხდება სხვადასხვა გარემოებათა გამო. მოხსენებაში გაანალიზებულია ისეთი შემთხვევები, როცა აღწერილი მოვლენა შეპირობებულია: ა) სახელის მრავალკომპონენტიანობით და ეს განსაკუთრებით ხელშემშლელ ფაქტორად იქცევა ფლექსიური ტიპის სამიზნე ენაში (როგორიც, მაგალითად, ქართულია); ბ) სახელის ომონიმურობით, რის გამოც თავისთავად პრედიკატული/ატრიბუტული ბუნების მახასიათებლები გარკვეული ფუნქციური დატვირთულობისას მექანიკურად გადაიქცევიან პროპრიალურად; გ) ეროვნული ეკვივალენტის არაკეთილხმოვანებით, და ეს არ არის გამოწვეული მაინცდამაინც სამიზნე ენის ფონოტაქტიკური წესების დარღვევით; დ) ეროვნული ეკვივალენტის არამკაფიოობით, დიფერენციაციის უნარმოკლებულობით, ენობრივი პლანის დაცულობის მიუხედავად.

ყველა დასახელებულ შემთხვევაში ვდგებით იმ აუცილებლობის წინაშე, რომ მივმართოთ სახელის ტრანსლირებას, ნახევარტრანსლირებას ან პარაფრაზირებას – ბუნებრივია სახელის სემანტიკისა და არსებული მსოფლიო ტრადიციების გათვალისწინებით. მოხსენებაში დაწვრილებით არის წარმოდგენილი ყველა ქვეშემთხვევა საილუსტრაციო მასალაზე დაყრდნობით, როდის რომელი მეთოდი ამართლებს და რატომ.

20. წინდებულის სინტაგმით წარმოდგენილ გერმანულენოვან საკუთარ სახელთა გრამატიკა და სემანტიკა.

(მოხსენება, წაკითხული IDS-ის / მანჰაიმის გერმანული ენის ინსტიტუტის მუდმივმოქმედი *ლინგვისტური კოლოკვიუმის საგანგებო სხდომაზე.* ხელმძღვანელი პროფ. დოქტ. გიზელა ციფონუნი)

ენაში ენდონიმთა ტრანსფერირების დარღვევისა და ეგზონიმთა აღმოცენების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ, სხვა ანგარიშგასაწევ ფაქტორებთან ერთად, მრავალკომპონენტიანი, მათ შორის წინდებულის სინტაგმით გართულებული სახელების არსებობაც უნდა მივიჩნიოთ. ეს მოვლენა, რომელიც უცხოა ქართულისთვის, სრულიად ბუნებრივია გერმანულისთვის და ერთნაირად გავრცელებულია როგორც ანთროპონიმებში, ისე ტოპონიმებში. სახგულისხმოა ისიც, რომ წინდებულიანი სინტაგმა გამოტოვებას არ ექვემდებარება (თუ არ ჩავთვლით ელიფსურ ფორმებს ყოფით სიტუაციებში). ყოველთვის არ არის მიზანშეწონილი, მხოლოდ მათ გრამატიკულ მახასიათებელთა აღწერით შემოვიფარგლოთ და მთლიანად უგულებელვყოთ მათი სემანტიკა, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა სემანტიკურ მოცემულობებს დიფერენციაციული დატვირთულობა აქვს.

წინამდებარე გამოკვლევა ზემოაღწერილი ტიპის ანალოგიურ სახელთა ანალიზს ეძღვნება და ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით ახდენს მათ კლასიფიკაციას ლოკალურობის, ვითარების და სხვა მსგავს მახასიათებლებზე დაყრდნობით; ცალკე ჯგუფად გამოყოფს სატიტულო დანიშნულების წინდებულიან სინტაგმებს. შესაბამისად ტრანსფერირების ორ ტიპს გვთავაზობს: ტრანსპოზიციას (ჩაწერისას დეფიზების გამოყენებით) ძირითადად ტოპონიმებთან და ტრანსლირებას – სამფეო, სასულიერო და ა.შ. პირთა მოხსენიებისას. განიხილავს ასევე იმ მოსალოდნელ უზუსტობას ინტერკულტურულ დისკურსში, რაც შეიძლება ამგვარ მახასიათებელთა თარგმნაზე უარის თქმის საფუძველი გახდეს.

21. ჩრდილოეთის ზღვის რეალიები და მათი დესიგნატები ტრანსლირებადობასთან მიმართებაში.

(მოხსენება,წაკითხული რეგენსბურგის უნივერსიტეტის გერმანისტიკის მიმართულებასთან არსებულ მუდმივმოქმედ *ტოპონომასტიკურ კოლოკვიუმის საგანგებო სხდომაზე.* ხელმძღვანელი პროფ. დოქტ. ალბრეჰტ გროილე)

ჩრდილოეთის ზღვის რეალიების აღმნიშვნელ სახელთა საგანგებო ანალიზი აუცილებელი გახდა ჩვენი საკვლევი პროექტის *„გერმანიის გეოგრაფიულ სახელთა ქართული ეკვივალენტების ლექსიკონის“* პროფილის გაფართოებასთან (იხ. პუნქტი III.1. ბ) 4.) დაკავშირებით.

სხვადასხვა ქვეჯგუფის გეოგრაფიულ სახელთათვის (ჰიდრონიმები / ორონიმები / ქორონიმები / დრუნონიმები და ა.შ.) კულტურგეოგრაფიული ხასიათის ანოტაციის დართვისას აღმოჩნდა, რომ ქართულ გეოგრაფიულ ლიტერატურაში არ არსებობდა სპეციფიკურ გერმანულ ფენომენთა, ასევე კულტურგეოგრაფიულ რეალიათა აღმნიშვნელ სახელთა ეკვივალენტები, მიუხედავად იმისა, რომ თავისთავად ეს სახელები ნიშანდებულნი არიან არა პროპრიალური, არამედ წმინდა ონიმური მახასიათებლებით.

აღწერილი გარემოება შეპირობებულია იმ ფაქტორით, რომ მათი შესატყვისი დენოტატები უცხოა ქართული რეალობისთვის და არც დესიგნატი იძლევა მასში ჩადებულ სემურ კომპონენტთა/სემემათა არათუ ტრანსლირების, არამედ თუნდაც აღწერილობითი ფორმით გადამოტანის საშუალებასაც კი. ამ წანამძღვრებიდან გამომდინარე ფოკუსირება მოვახდინეთ ისეთ რეალიებზე, როგორიცაა, მაგალითად, Außensand, Hallig და ა.შ. (ანალოგიურ რიგს განვაკუთვნეთ ასევე: Bundesland, Bundeswasserstraße და ა.შ.) და შევთავაზეთ მსმენელს მათი ტრანსფერირების ისეთი კონკრეტული ფორმები, რომლებსაც შემდეგ დაკონკრეტების მიზნით შეიძლება თავისუფლად დაერთოს პროპრიალური ელემენტი/ანუ ტოპონიმი მისი ინდივიდუალური მახასიათებლების შეცვლა-დამახინჯების გარეშე.

22. მოცემული ნაშრომის განხილვის საგანია ქართული, გერმანული, ინგლისური, ფრანგული და რუსული ენების სეგმენტური დონეების კონტრასტული შეპირისპირება. კვლევის ობიექტივი მიმართულია გამოსაკვლევ ენათა ბგერითი სისტემების ფონეტიკურ თავისებურებათა გამოვლენაზე, ხმოვნებისა და თანხმოვნების კლასიფიკაციაზე მათი დისტინქტური მახასიათებლების მიხედვით, რომლებიც ზოგიერთ ენაში ფონემატურად რელევანტურია ზოგში კი არარელევანტური. ბგერები, რომლებიც ერთ რომელიმე ენაში არიან წარმოდგენილი ამ ენის შემსწავლელებს მნიშვნელოვან საწარმოთქმო სირთულეებს უქმნიან და პირიქით, შესადარებელ ენათა ბგერით სისტემებში არსებული იდენტური ბგერები ნაკლებად განაპირობებენ სტუდენტთა საწარმოთქმო შეცდომებს. მშობლიური ქართული ენისა და ოთხი ზემოთ ჩამოთვლილი უცხოური ენის კონსპელაციაში გამოვლენილია ინტერფერენციები, რომლებიც ერთი მხრივ არსებობენ: 1. ქართულსა და გერმანულ; 2. ქართულსა და ინგლისურს; 3. ქართულსა და რუსულს და 4. ქართულსა და ფრანგულს შორის. მეორე მხრივ მხედველობაშია მისაღები ინტერფერენციები, რომლებიც არსებობენ ამ ოთხ უცხოურ ენას შორის. მოცემული ენების ბგერითი სისტემებისა და ინტერფერენციების კონტრასტული აღწერის ბაზაზე შევადგინეთ მოსალოდნელი საწარმოთქმო სისტემების სია. შეცდომების ასეთი წინასწარი, თეორიული პროგნოზირება გადავამოწმეთ ემპირიული გამოკვლევით: ქართულ ენოვანი სტუდენტების საწარმოთქმო შეცდომების აღნუსხვით მათ უცხოურ ენაზე მეტყველების დროს. კვლევის შედეგების ვერიფიკაციის მიზნით ორივე გამოკვლევა შევადარეთ ერთმანეთთან. ამ შედარების ბაზაზე თითოეულ უცხოურ ენასთან მიმართებაში გამოვავლინეთ პოზიტიური და ნეგატიური ინტერფერენციული საწარმოთქმო შეცდომები. ჩატარებული თეორიული და ემპირილი

გამოკვლევები ქმნიან საფუძველს, ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ უფრო პრობლემატური, ფონემატური ინტერფერენციული შეცდომები და ნაკლებად პრობლემატური ფონეტიკური ხასიათის ინტერფერენციული შეცდომები. სწავლების პირველ ეტაპზე უნდა დავძლიოთ ფონემატური, შემდეგ ეტაპზე კი ფონეტიკური შეცდომები. ნაშრომში შემოთავაზებული დიდაქტიკურ-მეთოდური რეკომენდაციები უზრუნველყოფენ ზემოთ ჩამოთვლილი უცხოური ენების წარმოთქმის დაუფლებას და მათ აქტიურ გამოყენებას მეტყველების პროცესში.

23. ევროპის მკვიდრთა მობილობისა და ბოლო ათწლეულებში სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფთა ფართომასშტაბიანი მიგრაციის მზარდმა ტემპმა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობის მულტიკულტურული მრავალფეროვნება განაპირობა. ევროპაში მიგრანტთა როგორც იაფი სამუშაო ძალის გამოყენებამ და ამით განპირობებულმა კონკურენციამ, აღმოსავლურ და დასავლურ წეს-ჩვეულებებისა და ფასეულობების კონფლიქტმა და ორმხრივმა ექატრემისტულმა გამოვლინებებმა, დაძაბა ურთიერთობები ქვეყნის ძირეულ უმრავლესობასა და იმიგრირებულ უმცირესობას შორის. დომინანტური კულტურის წარმომადგენლებს მოუწიათ დაფიქრება იმაზე, თუ რა დოზით შეუძლიათ კულტურულად განსხვავებული ხალხისა და მათი კულტურული თავისებურებების მიღება და გაზიარება. მეორე მხრივ, უმცირესობათა წარმომადგენლები დადგნენ პრობლემის წინაშე, თუ როგორ შეინარჩუნონ მშობლიური - ენობრივი, რელიგიური და კულტურული თვითმყობადობა „ახალ სამშობლოში“ და ამავე დროს შეეგუონ უმრავლესობის სოციო-კულტურულ მემკვიდრეობას. მოვლენათა ამ კონტექსტში თანამედროვე მულტიკულტურული ლიტერატურა იქცა კულტურათა დიალოგის ფორუმად, რომელმაც თავის ფურცლებზე მსჯელობის საგნად აქცია კულტურული იდენტობის საკითხი. მულტიკულტურული ლიტერატურის ავტორები, მუსლიმ იმიგრანტთა მეორე და მესამე თაობის წარმომადგენლები, მულტიკულტურული დიალოგის ინიციატორები არიან. ისინი გამოირჩევიან თავისი განმანათლებლური პოზიციით, მხარს უჭერენ ევროპული მულტიკულტურული სცენარის განვითარებას - კულტურათა უნიკალურობის, თვითმყოფადობის, მათი უფლებების აღიარებასა და ძირეულ მოსახლეობასთან ინტეგრაციის კონცეფციას. ეს გერმანულენოვანი მუსლიმი მწერლები თავის მხატვრულ ნაწარმოებებში გვაცნობენ მუსლიმური და ქრისტიანული კულტურების მახასიათებლებს, აზროვნებისა და ქცევის განსხვავებულ მოდელებსა და ნორმებს, ავლენენ საზოგადოებაში მიმდინარე სიღრმისეულ ცვლილებებსა და კონფლიქტებს და ცდილობენ დაძლიონ უმრავლესობასა და უმცირესობას შორის აღმოცენებული გაუცხოებისა და უნდობლობის სინდრომი. ისინი იღწვიან იმისთვის, რომ გააფართოვონ თითოეული მოქალაქის ინერკულტურული კომპეტენცია და ცოდნის ჰორიზონტი, უცხო თვალსაწიერიდან დაანახონ საკუთარი სახე და იდენტობის ის მახასიათებლები, რომლებიც დისონანსს იწვევენ სხვა კულტურების წარმომადგენლებში, გადალახონ ერთმანეთზე შექმნილი სტერეოტიპები და „საკუთარი“ და „უცხო“ სამყაროების შედარებისა და რეფლექსიის საშუალებით შესთავაზონ მათ ახლებური, მულტიკულტურული აზროვნება. ამრიგად, მულტიკულტურული ლიტერატურა გვაწვდის ჰეტეროგენული მულტიკულტურული საზოგადოების ტრანსფორმაციის იდეებს, რომლებიც გარკვეულ ზეგავლენას ახდენენ მკითხველზე, მის კულტურულ ორიენტაციაზე, ეთიკურ ნორმებსა და ფასეულობებზე.

24. მრავალენოვნების პოლიტიკურ-ეკონომიკური აუცილებლობა გლობალიზებულ სამყაროში მნიშვნელოვნად ზრდის მოთხოვნას პედაგოგთა შესაბამისი პროფესიული კომპეტენციის მიმართ, ასევე სტუდენტთა მოტივაციას, დაეუფლონ რამდენიმე უცხოურ ენას, პირველ რიგში ზეპირი კომუნიკაციის დონეზე და მის მნიშვნელოვან ასპექტს - წარმოთქმას, რის ბაზაზეც შესაძლებელი ხდება მათი ადაპტაცია ევროპის მრავალენოვან საკომუნიკაციო და პროფესიულ გარემოში. საკითხის განსაკუთრებული აქტუალობის გამო, მოცემულ ნაშრომში ყურადღება მახვილდება პროფესიული პლურილინგვალური საწარმოთქმო კომპეტენციის განვითარებაზე რუსულ და გერმანულ ენებში. ამ მიზნით გამოვიკვლიეთ რუსეთისა და გერმანიის ჟურნალისტების, პირველ რიგში ტელეწამყვანთა საწარმოთქმო შეცდომები, ასევე რუსული და გერმანული ენის შემსწავლელ ქართულ- და რუსულენოვან ჟურნალისტიკის სტუდენტთა საწარმოთქმო შეცდომები. მიღებული ემპირიული მასალის ანალიზის შემდეგ, კონტრასტულად აღვწერეთ ქართული, რუსული და გერმანული ენების საარტიკულაციო ბაზისები, ხმოვანთა და თანხმოვანთა სისტემები და კოარტიკულაციური ფენომენები. ჩატარებული თეორიული და ემპირიული გამოკვლევების შედეგად გამოვავლინეთ ქართული,

რუსული და გერმანული ენების ბგერით სისტემებსა და კოარტიკულაციურ ფენომენებს შორის არსებული მსგავსებები, განსხვავებები და ინტერლინგვალური ტრანსფერები. გენეტიკურად ისეთ განსხვავებულ ენათა კონსტელაციაში, როგორიცაა რუსული, გერმანული და ქართული, პოზიტიურ ტრანსფერს, რომელიც ფონეტიკური ფენომენების მეტ-ნაკლებად კორექტული რეალიზებით ხასიათდება, ჭარბობს ნეგატიური ტრანსფერი. ნეგატიური ტრანსფერი წარმოდგენილია უფრო მეტად ფონემატური სახის საწარმოთქმო შეცდომებით. ფონემატური შეცდომები აბრკოლებენ გაგებისა და კომუნიკაციის პროცესს, ამიტომ რეკომენდებულია წარმოთქმის სწავლების უფრო ადრეულ ეტაპზე მათი ინტენსიური კორექტურა. ფონემატური სახის შეცდომები სიხშირით დომინირებენ სამივე ენის ხმოვანთა წარმოთქმისას, რაც რომელიმე მოცემულ უცხოურ ენაში განსაზღვრული დისტინქტური ოპოზიციების არარსებობითაა განპირობებული. ეს ლინგვისტური ფაქტი გერმანული ენის შემსწავლელ რუსულ- და ქართულენოვან სტუდენტებში განაპირობებს გრძელი/დახურული - მოკლე/ღია ხმოვნების, ენის საშუალო აწეულობის წინა რიგის ლაბიალიზებული ხმოვნების და სხვ. არაადეკვატურ წარმოთქმას. რუსული ენის ხმოვანთა წარმოთქმისას ფიქსირდება ფონეტიკური შეცდომები, კერძოდ, მარცვალში ხმოვნისა და პალატალიზებული/არაპალატიზებული თანხმოვნის რეალიზების დროს, სამივე ენის თანხმოვანთა წარმოთქმისას დომინირებენ ფონეტიკური სახის შეცდომები, რომლებიც ხასიათდებიან ამა თუ იმ უცხოური ენის საწარმოთქმო ნორმის მეტ-ნაკლები დარღვევით მაგ: ასეთია რუსულ- და ქართულენოვან სტუდენტთა მიერ გერმანული ხშულ-მსკდომი თანხმოვნების რეალიზაცია ფშვინვის გარეშე, წინაენისმიერი თანხმოვნების დენტალური წარმოთქმა და სხვ. ქართულენოვან სტუდენტებს უჭირთ რუსული პალატალიზებული თანხმოვნებისა და მთელი რიგი თანხმოვანთა შეერთებების კორექტული რეალიზება. ნაშრომში დასახულია პერსპექტივები პლურილინგვალური საწარმოთქმო კომპეტენციის შემდგომი განვითარებისთვის, რაც გულისხმობს ამ სფეროში კვლევის პლატფორმის გაფართოებას, ფონეტიკის გაკვეთილზე თეორიული ცოდნის ინტეგრაციას ფონეტიკურად კორექტულ მეტყველებასთან, ინოვაციური სასწავლო მეთოდებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების აქტიურ გამოყენებას და რაც მთავარია „მრავალენოვნების კურიკულუმში" ფონეტიკის განახლებული სახით წარმოდგენას.

25. ნაშრომში თეორიულ-ლინგვისტიკური და ექსპერიმენტული კვლევის შედეგად კონტრასტულად აღწერილია ქართული, გერმანული და რუსული ენების სიტყვათმახვილის ფენომენი და ჩატარებულია აქცენტირების საშუალებათა ანალიზი თითოეულ ენაში. კვლევა მოიცავდა შემდეგ ეტაპებს: 1. საექსპერიმენტო მასალის შერჩევა; 2. საექსპერიმენტო მასალის ჩაწერა (ქართულენოვანი სტუდენტების უცხოურ ენაზე წაკითხული ტექსტების შედეგად); 3. აუდიტორთა მიერ ექსპერიმენტული მასალის პერცეფციული ანალიზი; 4. პერცეფციული ანალიზის შედეგების დამუშავება. ჩატარებული გამოკვლევის ბაზაზე დადგენილია მახვილიანი მარცვლის აქცენტირების კანონზომიერებები ქართულ, გერმანულ და რუსულ სიტყვებში, გამოკვლეულია მახვილიანი მარცვლის აქცენტური გამოყოფის საშუალებები და გამოვლენილია სტუდენტთა მიერ ამ ენებში აქცენტირების ნორმის დარღვევით განპირობებული ტიპური შეცდომები. დადგინდა, რომ ქართულ- და ენოვანი სტუდენტებისათვის განსაკუთრებით რთულია რუსული ენის მოძრავი მახვილის, ასევე გერმანული ენის ზოგიერთ სიტყვაში მახვილის გადაწევის შემთხვევების ათვისება და პრაქტიკული გამოყენება. ნაშრომში მოცემულია მეთოდური რეკომენდაციები ყოველ მოცემულ ენაში სიტყვათმახვილის სწორი რეალიზებისათვის. ამ რეკომენდაციების ეფექტურობა წინასწარაა გადამოწმებული ქართულ აუდიტორიაში. კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ სტუდენტთა შეცდომები სიტყვათმახვილში განპირობებულია არა მხოლოდ მშობლიური ენის ფონეტიკური სისტემის თავისებურებით, არამედ აგრეთვე ინტერლინგვალური და ინტრალინგვალური ინტერფერენციებით: უცხოურ ენებში სიტყვებისა და მარცვლების სტრუქტურული თვისებებით, განსაზღვრული აქცენტური მოდელების სიხშირით და სხვ.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	ევროპის ლექსიკოგრაფიული ასოციაციის მე-17 საერთაშორისო კონგრესი	თ. მარგალიტაძე,	თ. მარგალიტაძე, გ. მელაძე, მ. დავლიანიძე, ი. ორმოცაძე	თსუ; ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ჰორნბის ფონდი (დიდი ბრიტანეთი) ევროპის ლექსიკოგრაფიული ასოციაცია
2.	ჰაინრიხ ჰაინეს დიუსელდორფის უნივერსიტეტის გერმანისტიკის ინსტიტუტისა და თსუ გერმანული ფილოლოგიის კათედრის ერთობლივი პროექტის (2012-2015) "ტექსტისა და დისკურსის თეორია და პრაქტიკა გერმანულ ენათმეცნიერებასა და ლიტერატურათმცოდნეობაში "დასრულება	პროფ.ლალი ქეცბა-ხუნდაძე (თსუ) პროფ.დიტრიჰ ბუსე (გერმანული ენათმეცნიერების კათედრის ხელმძღვანელი) პროფ.სიბილე	პროფ.ლალი ქეცბა-ხუნდაძე მოწვეული პროფ.ლევან ცაგარელი მოწვეული პროფ.ოლეგ კაპანაძე, პროფ.ალექსანდრე კარტოზია ასოც.პროფ. ნინო ქიმერიძე, ასოც.პროფ.ნუნუ კაპანაძე ასოც.პროფ. კონსტატინე ბრეგაძე ასოც. პროფ. სოფიო მუჯირი დოქტორანტები: დავით გიორგობიანი მაგდა ღუღუნიშვილი ნინო გოგელია სალომე შავგულიძე ქეთევან შეყილაძე ეკა ნარსია	გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის გრანტი და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერა
3	შექსპირის შემოქმედების შესწავლისა და თარგმნის ისტორია საქართველოში; (ლიტერატურათმცოდნეობა); (ინგლისური ფილოლოგიის მიმართულება	მანანა გელაშვილი	მანანა გელაშვილი დავით მაზიაშვილი თამარ გელაშვილი თამარ კახნიაშვილი სოფიო თოთიბაძე	თსუ-ს მცირებიუჯეტიანი გრანტი (ადგილობრივი გრანტი)

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

1. 2016 წლის 6 – 10 სექტემბერს ჩატარდება. 2015 წლის თებერვალში გაიხსნა ჩვენ მიერ მომზადებული კონგრესის ვებსაიტი მისამართზე: euralex2016.tsu.ge. როგორც 2014 წლის ანგარიშში იყო აღნიშნული 2014 წელს ჩამოყალიბდა კონგრესის სამეცნიერო კონცეფცია, რომელმაც კონკურსში გაიმარჯვა. 2015 წლის მანძილზე კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტმა 5 ცირკულარული წერილი დააგზავნა ევროპის ლექსიკოგრაფიული ასოციაციის წევრებთან. 2015 წლის 20 ნოემბერს დასრულდა მოხსენებების მიღება, შემოსულია 140 მოხსენება. სულ კონგრესის ავტორებად 205 მეცნიერია დარეგისტრირებული. ნოემბრის ბოლოდან დაიწყო მოხსენებების ანონიმური რეცენზირების ეტაპი. თითოეული მოხსენება დაეგზავნა 2 ანონიმურ

რეცენზენტს, რომლებიც კონგრესის სამეცნიერო საბჭოს წევრები არიან. რეცენზირების ეტაპი დასრულდება 2015 წლის მიწურულს. კონგრესის ავტორები, გარდა ევროპის ქვეყნებისა, არიან რუსეთიდან, უკრაინიდან, ბელორუსიიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, კანადიდან, იაპონიიდან, ჩინეთიდან, სამხრეთ აფრიკიდან, ბრაზილიიდან და სხვა.
ამჟამად ლექსიკოგრაფიული ცენტრი მუშაობს მოხსენებების რეცენზირებაზე და შემოსული რეცენზიების ანალიზზე. იანვრის ბოლოს დასრულდება მოხსენებების გადარჩევის პროცესი და საბოლოოდ ჩამოყალიბდება კონგრესის პროგრამა.
2016 წელს ლექსიკოგრაფიული ცენტრი მოამზადებს კონგრესის მოხსენებების სრულ კრებულს, რომელიც კონგრესის გახსნამდე გამოქვეყნდება.

2. 2015 წლის 14- 16 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგიის კათედრამ და ჰაინრიხ ჰაინეს დიუსელდორფის გერმანისტიკის ინსტიტუტმა ინსტიტუტთაშორისი პარტნიორობის ფარგლებში გერმანისტიკის დარგში გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურისა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით ჩაატარა გერმანიის ყოფილი სტიპენდიანტების საერთაშორისო კონფერენცია: „ტექსტისა და დისკურსის თეორია და პრაქტიკა“, რომელიც მიეძღვნა გერმანული ფილოლოგიის კათედრის ხელმძღვანელის პროფ. ლალი ქეცბა-ხუნდაძის 70 წლის იუბილეს.

ამ კონფერენციით წარმატებით დასრულდა სამწლიანი კვლევითი პროექტი, რომლის ფარგლებშიც 2012- 2015 წლებში გამოქვეყნდა მთელი რიგი გერმანულენოვანი და ქართულ ენაზე შექმნილი სტატიებისა გერმანიასა და საქართველოში. პროექტის ფარგლებში თსუ გერმანული ფილოლოგიის კათედრის თანამშრომლებს, მათ შორის დოქტორანტებსა და მაგისტრანტებს შესაძლებლობა ჰქონდათ ემუშავათ დისკურსის თემაზე პარტნიორ დიუსელდორფის უნივერსიტეტში და მოემზადებინათ ნაშრომები. პროფ. ლალი ქეცბა-ხუნდაძის ხელმძღვანელობით მომზადდა სამი საკვალიფიკაციო ნაშრომი დისკურსის პრობლემატიკაზე, რომლებიც დაცვის წინა ფაზაში იმყოფება. მან ამ წლებში დისკურსის კვლევის საკითხზე გამოაქვეყნა არაერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც ფუკოს შემდგომ გერმანიაში განვითარებულ დისკურსის თეორიებსა და მეთოდოლოგიებს (მათ შორის დიკურსის ჰერმენევტიკულ კვლევის მეთოდოლოგიას ლინგვისტიკის პერსპექტივიდან) და მათ პრაქტიკულ გამოყენებას ეძღვნება. განსაკუთრებით აღსანიშნავია გერმანიაში 2012 წელს გამოცემული მისი ვრცელი სტატია „სივრცის ინსცენირება ქართულ პოსტმოდერნულ დისკურსში (ერთი მოკლე მოთხრობის მაგალითზე აკა მორჩილაძის რომანში „სანტა ესპერანცა“), პროფ. ბერნდ შპილნერისადმი მიძღვნილ კრებულში „ ტექსტები – ხიდები კულტურათა შორის“. მისი ხელმძღვანელობით 2014/ 15 წლებში შესრულდა საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომები დისკურსის პრობლემატიკაზე, რომელთა შორის აღსანიშნავია.: „ძალადობა ქალებზე გერმანიის მიგრანტების დისკურსში“ და „უკრაინის კონფლიქტი გერმანული პრესის დისკურსში“. დაცულია დისერტაცია, რომელიც მიეძღვნა სიკვდილის დისკურსს გერმანულ მხატვრულ ლიტერატურაში ლინგვისტური პერსპექტივიდან. მისი დოქტორანტები აქტიურად მუშაობენ პრესის დისკურსზე (მარიონ დენჰოფის პუბლიცისტური დისკურსის ანალიზზე), სამეცნიერო დისკურსების ინტერკულტურულ შედარებაზე გერმანულსა და ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეებში, ზმნურ შესიტყვებებზე ადმინისტრაციულ ენაში კონტექსტუალიზაციის თეორიის პერსპექტივიდან. ახალგაზრდა ქართველ მკვლევრები იყენებენ ვარნკესა და შპიტცმიულერის ანალიზის უახლესი მოდელს სახელწოდებით (DIMEAN), რომელიც გულისხმობს როგორც ინტრატექსტუალურ ანალიზის მეთოდებს, ასევე ე.წ. აქტორების ანალიზსა და ტრანსტექსტუალური ანალიზის მეთოდების ერთობლიობას.

რაც შეეხება დისკურსის პრაქტიკას: იდეა მდგომარეობს იმაში, რომ სხვადასხვა სახის დისკურსები, მაგ. ადამიანის უფლებათა, გენდერის, ჰეტეროტოპიების (ქალაქებში არსებული კულტურული მემკვიდრეობის- მუზეუმების, პარკების, არქიტექტურული ძეგლების და ა.შ.), მათი ჯენტრიფიკაციის (მათი სანირებისა და ფუნქციონალური ცვლელებების) წინააღმდეგ პროტესტის დისკურსები, გარემოს დაცვისა და/ან კონფლიქტის დისკურსები უმეტესწილად დაპირისპირებულ პოზიციებს გამოხატავენ, შესაბამისად სხვადასხვა დისკურსებს ქმნიან, ისე

რომ შემდგომ ეს უკანასკნელნი თვით ახდენენ სინამდვილის გენერირებას და კონსტრუირებას და ამდენად ობიექტურ რეალობაზე ახდენენ ზეგავლენას – სწორედ ამაშია დისკურსის კვლევის აქტუალობა და ინტერდისციპლინარული მიდგომების საჭიროება. 2016 წლის ბოლომდე გამოსაცემად მომზადდება საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალი Germanistische Studien N15, რომელშიც წარმოდგენილი იქნება დისკურსის პრობლემატიკისადმი მიძღვნილი სტატიები, მათ შორის კონფერენციის მასალების გამოყენებით.
3. პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში შექსპირის თარგმნისა და კვლევის მდიდარი ტრადიციის შესწავლას. ამ მიზნით დამუშავდა როგორც ისტორიული მასალა, ასევე ბოლო წლებში შექმნილი თარგმანები და გამოკვლევები, რომელიც აქამდე არ გამხდარა სპეციალური შეწავლის ობიექტი. კვლევის შედეგები წარმოდგენილი იქნება საფაკულტეტო კონფერენციაზე. კვლევის შედეგები ასევე აიტვირთება თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შექპირის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ვებგვერდზე და ამით ხელმისაწვდომი იქნება სტუდენტებისა და შექსპირის შემოქმედებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

IV. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
2	პერსონალის მობილობის გრანტი	ირინა გველესიანი	ირინა გველესიანი	უცხოური გრანტი - ერასმუს მუნდუსის პროექტი “ალრაკის II”
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				
პროექტის ფარგლებში ა.წ. 4 სექტემბრიდან 5 ოქტომბრის ჩათვლით ვსტუმრობდი ტუსკიას უნივერსიტეტს (იტალია), სადაც წავიკითხე ლექციები და ჩავატარე სამეცნიერო კვლევები.				
№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
3	**Grammatik des Deutschen im europäischen Vergleich გერმანული ენის კონტრასტული გრამატიკა**	**პროფ. დოქტ. გიზელა ციფონუნი**	**IDS**-ის/ მანჰაიმის გერმანული ენის ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფი; **მ. ანდრაზაშ ვილი**	გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა / მანჰაიმის გერმანული ენის ინსტიტუტი IDS

	ევროპულ კონტექსტში		სხვა უცხოელ კოოპერატორ-მეცნიერებთან ერთად.	
4.	**Deutschsprachige *Nomina Propria* unter translatorischem Gesichtspunkt: Tradition und Trends** **გერმანულენოვან საკუთარ სახელთა ტრანსფერირება – ტრადიციები და ტენდენციები**	**მარინა ანდრაზაშვილი**	**მარინა ანდრაზაშვილი**	**DAAD** გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახურის ფონდები (გრძელვადიანი სტიპენდიების ფორმით, რომელთა მოპოვება ხდება პერიოდულად/საჭიროებისამებრ კონკურსის წესით)
5	**Übersetzung und Auswertung von Tonaufnahmen der Kriegsgefangenen des ersten Weltkriegs** **პირველი მსოფლიო ომის მონაწილეთა აუდიოარქივის დამუშავება.**	**დოქტ. ჰაიკე ლიბაუ** ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი-თანამშრომელი	**მ. ანდრაზაშ ვილი;** ბერლინის თანამედროვე აღმოსავლეთმცოდნეობის ცენტრის მეცნიერთა ჯგუფი	**ZMO** ბერლინის თანამედროვე აღმოსავლეთმცოდნეობის ცენტრი.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

1. **გერმანული ენის გრამატიკა ევროპულ კონტექსტში**

(თანამშრომლობა მანჰაიმის გერმანული ენის ინსტიტუტთან პროფ. დოქტ. გიზელა ციფონუნის ხელმძღვანელობით მიმდინარე საკვლევ პროექტზე)

გაერთიანებული ევროპული კულტურის იდეის მეცნიერული მხრდაჭერისა და მისი რეალიზაციის მიზნით დაგეგმილი აქვს მანჰაიმის გერმანული ენის ინსტიტუტს, შექმნას გერმანული ენის კონტრასტული გრამატიკის მრავალტომეული ევროპაში გავრცელებულ რვა ენის შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე. ენობრივი ფენომენების სხვადასხვა რაკურსში უკეთ წარმოჩენის მიზნით პროექტში ჩართულია ასევე არაპირდაპირი პარალელებისთვის პასიური წევრის სტატუსით ქართულიც, როგორც საკუთარი დამწერლობის მქონე, მაგრამ ნაკლებგავრცელებული, რამდენადმე ეგზოტიკური ენის ერთ-ერთი უნიკალური ნიმუში.

თავისთავად პროექტი არის ფართოფორმატიანი და მრავალპლანოვანი, რომელმაც უნდა მოიცვას გერმანული ენის გრამატიკის ყველა ასპექტი. პროექტში ვთანამშრომლობ 2007 წლიდან და მევალება პერიოდულად წარვადგინო მასლა როგორც საკუთრივ გერმანულის კუთხით, ისე ქართულ, საჭიროებისამებრ რუსულ ენასთან შეპირისპირებით და შევასრულო ინდივიდუალური საქსპერტო დასკვნები განსახილველად გადმოგზავნილი მასალების მიმართ. 2007–2008 წლები გათვალისწინებული იყო მოსამზადებელი სამუშაოებისთვის, 2009–2013 წლებში მუშავდებოდა სახელის კლასი მორფოლოგიურ ჭრილში. 2013–2017 წლებში მუშავდება სახელის სინტაგმა და მისი განვრცობის შესაძლებლობები. პირადად მე ამ ეტაპზე მევალება ვიკვლიო ანთროპონიმთა და ეთნონიმთა პოტენციური გავრცობის შესაძლებლობები მარჯვნივ და მარცხნივ – მათი წარმოდგენა სახელის ან წინდებულის სინტაგმის სახით.

2. გერმანულენოვან საკუთარ სახელთა ტრანსფერირება – ტრადიციები და ტენდენციები
(მ. ანდრაზაშვილის საკვლევი პროექტის ერთპიროვნული ავტორი და ინდივიდუალური შემსრულებელი)

წინამდებარე გამოკვლევა ორიენტაციას იღებს უშუალოდ *ანთროპონიმებსა და ტოპონიმებზე*, როგორც საკუთარ სახელთა სუბკლასის ყველაზე *სპეციფიკურ რეპრეზენტანტებზე* თავიანთი პროპრიალური მახსიათებლებისა და რეფერენციალური მიმართებების გამო. იგი მიზნად ისახავს, გერმანული და ქართული ენების საილუსტრაციო მასალის შეპირისპირებითი ანალიზის გზით გამოავლინოს ლინგვისტური კრიტერიუმები, რომლებიც საკუთარ სახელთა ტრანსფერირებას ერთი ენიდან მეორეზე მთარგმნელის გემოვნებასა თუ ენობრივ ალდოზე დამოკიდებულს კი არ გახდის, არამედ დასაბუთებულ გრამატიკულ კანონზომიერებებს დაუქვემდებარებს. ამ მიზნით ნაშრომი განსახილველ სუბკლასში ერთმანეთისგან გამიჯნავს უშუალოდ სახელებსა და სახელის სინტაგმებს, თითოეულ მათგანს აღწერს სემანტიკური იზოლირებულობისა და დესკრიპტიულობის ან მოჩვენებითი დესკრიპტიულობის ფაქტორების გათვალისწინებით, შესაბამისად კი გამოყოფს საკუთარ სახელთა ტრანსფერირების სამ, თვისობრივად ურთიერთგანსხვავებულ, პროცედურულ ხერხს – ტრანსლიტერირებას, ტრანსპონირებას და ტრანსლირებას. ანალიზისას, ბუნებრივია, ითვალისწინებს სამიზნე ენის ფონემური და გრაფემული ინვენტარის შეთავსებადობას ერთმანეთთან, ისევე როგორც ამოსავალი ენის ანალოგიურ ინვენტართან სისტემურ დონეზე, სინტაგმატური მიმართებების თვალსაზრისით კი ცდილობს, უპირატესი ანგარიში გაუწიოს სამიზნე ენის გრაფოტაქტიკურ წესებს ფონოტაქტიკურთან შედარებით, ამ უკანასკნელთა აშკარა კომპრომისული განწყობის გამო ადაპტირება-ასიმილირების პროცესებისადმი თანამედროვე მსოფლიოში ნორმადქცეული ინდივიდის მრავალენოვნების ფონზე; ზომიერი ტოლერანტობით უდგება ტრადიციით გადმოცემულ მემკვიდრეობას ეროვნული მეხსიერების სტაბილურობის ფაქტორის გამო; უშვებს ინდივიდუალურ მიდგომას ანთროპონიმებისადმი, როგორც პოტენციურად ვარირებადი/არაიზოტოპური სტრუქტურებისადმი თვით ამოსავალ ენაშიც, თუმცა იმავდროულად მკაცრად თანმიმდევრულია ტოპონიმების, როგორც ენის ლექსიკური მარაგის მყარი ნაწილის, სალექსიკონო წესით ნორმირების მიმართ.
პროექტის განხორციელების შედეგებს სისტემატურად წარვადგენთ ჩვენს საჯარო გამოსვლებსა და პუბლიკაციებში როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში

3. პირველი მსოფლიო ომის მონაწილეთა აუდიოარქივის დამუშავება.

აღსაწერი მრავალწლიანი პროექტი გარკვეუწილად ნაწილია იმ ღონისძიებებისა, რომელებიც ეძღვნება ევროპაში პირველ მსოფლიო ომში მონაწილე მეომართა ხსოვნას. მისი ინიციატორია ბერლინის თანამედროვე აღმოსავლეთმცოდნეობის ცენტრი დოქტ. ჰაიკე ლიბაუს ხელმძღვანელობით. პროექტი ინტერდისციპლინარული ხასიათისაა და ვარაუდობს ბერლინის ჰუმბოლტის ბიბლიოთეკაში დაცული აუდიარქივის მასალების დამუშავებას ლინგვისტურსა და კულტურულ-ისტორიულ პლანში.

ჯგუფმა პროექტზე მუშაობა დაიწყო 2009 წელს. სავარაუდოდ პრაქტიკული სამუშაოები დასრულდება 2016-2017 წელს, რის შემდეგაც დაიწყება მოპოვებული მასალის შეჯამება და თეორიული დამუშავება.

პირადად მე ამ ეტაპზე მევალება: მოვიძიო ბერლინის აუდიოარქივში დაცული პირველი მსოფლიო ომის მონაწილე სამხრეთკავკასიელი ტყვეების რუსულ- და ქართულენოვანი აუდიოჩანაწერები, შევასრულო ტრანსკრიპტი მათ მიმართ და აღვწერო ისინი პროსოდიკული, სოციოლინგვისტური და დისკურსის ლინგვისტიკის პოზიციებიდან. მეორე ეტაპზე მოხდება ჩემ მიერ მომზადებული მასლაის დამუშავება ისტორიულ პლანში თანაავტორ დოქტ. ჰაიკე ლიბაუსტან ერთად. მესამე

ეტაპზე ერთობლივად შევადგენთ კორპუსს და შედეგებს მივცემთ პუბლიკაციის ფორმას.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, **უცხოური გრანტი**)
1.	**მეცნიერების დარგი და სამეცნიერო მიმართულება:** ენათმეცნიერება, ინტერლინგვალური ფონეტიკა. **ევროკავშირის პროექტი:** Erasmus Mundus-Janus-ის სტიპენდიაკარლ ფრანცენსის უნივერსიტეტში (01.05.2015 - 30.06.2015).	ავსტრიის ქ. გრაცის კარლ ფრანცენსის უნივერსიტეტის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, პროფ. დოქტ. ბერნჰარდ ჰურხი	ძირითადი შემსრულებელი: სოფიო მუჯირი	Erasmus Mundus – IANUS

პროექტის ძირითადი თეორიული შედეგები:

1. ავსტრიის ქალაქ გრაცის კარლ ფრანცენსის უნივერსიტეტის ცენტრალურ, ასევე ენათმეცნიერების, გერმანისტიკისა და სლავისტიკის ინსტიტუტების ბიბლიოთეკებში მუშაობა საკვლევ თემასთან (ინტერლინგვალური ფონეტიკა) დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის მოპოვების მიზნით;
2. სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავება და სისტემატიზაცია;
3. ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორთან, ბატონ პროფ. დოქტ. ბერნჰარდ ჰურხთან კონსულტაციების შედეგად კვლევის გეგმისა და მეთოდების განსაზღვრა ინტერლინგვალური ფონეტიკის სფეროში.

პროექტის ძირითადი პრაქტიკული შედეგები:

1. ქართული, რუსული, ინგლისური და ფრანგული ენების სეგმენტური დონეების თეორიული აღწერა;
2. ცდისპირების წარმოთქმის ანალიზისა და გამოკითხვის საფუძველზე დადგენილია ინტერლინგვალური ინტერფერენციები;
3. გამოვლენილია პოზიტიური ტრანსფერი, რომელიც დომინირებდა გერმანული და ინგლისური ენების სეგმენტური დონეების თეორიული შედარების, ასევე ცდისპირთა მიერ ბგერათა რეალიზების დროს;
4. დადგენილია ნეგატიური ტრანსფერი, რომელიც განსაკუთრებით გამოვლინდა ქართული ენის თანხმოვანთა და რუსული ენის ხმოვანთა სხვა ენების

სეგმენტურ დონეებთან შედარების პროცესში, ასევე მათი წარმოთქმის დროს;

5. გამოვლენილია ყველაზე ხშირი ფონოლოგიური ხასიათის შეცდომა ცდის პირების მიერ იმ ბგერების წარმოთქმისას, რომლებიც არაა წარმოდგენილი ან არარელევანტურია მათი მშობლიური ენის ფონეტიკურ სისტემაში, მაგრამ არსებობენ ერთ რომელიმე შესასწავლ უცხო ენაში;

6. საკვლევ ენათა სუპრასეგმენტური ფენომენებისა და კოარტიკულაციური თავისებურებების შედარების საფუძველზე, ასევე ცდისპირთა გამოკითხვის შედეგად დადგენილია კომუნიკაციის შემაფერხებელი, უხეში ფონოლოგიური შეცდომები, ასევე ფონეტიკური შეცდომები, რომლებიც მეტად თუ ნაკლებად არღვევენ მოცემული უცხო ენის საწარმოთქმო ნორმას;

7. სტუდენტთა საწარმოთქმო შეცდომების გაუმჯობესების მიზნით ჩამოყალიბებულია მეთოდურ – დიდაქტიკური რეკომენდაციები. ბატონ პროფესორ ბ. ჰურხთან სისტემატური კონსულტაციების ბაზაზე შეიქმნა საფუძველი მანუსკრიპტისა და კონტრასტული სავარჯიშოების მომზადებისათვის, რაც საწინდარია პლურილინგვალური ფონეტიკის სფეროში წიგნისა და სავარჯიშოების კრებულის გამოცემისათვის.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, **უცხოური გრანტი**)
2.	**მეცნიერების დარგი და სამეცნიერო მიმართულება:** ენათმეცნიერება, გერმანისტიკა. **ევროკავშირის პროექტი:** „Netzwerk des Wissens“ (ცნობილი ავსტრიელი ენათმეცნიერის ჰუგო შუხარდტის მეცნიერული და ეპისტოლარული მემკვიდრეობის შესწავლა და აღწერა, რაც გულისხმობს ჰუგო შუხარტის შემოქმედებისა და კორესპონდენციის გაცნობას, თარგმნას, კომენტირებას და სხვ. და ქ. გრაცის კარლ-ფრანცენსის უნივერსიტეტის არქივისათვის ელ.	ავსტრიის ქ. გრაცის კარლ-ფრანცენსის უნივერსიტეტის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, პროფ. ბერჰარდ ჰურხი	სოფიო მუჯირი-ძირითადი შემსრულებელი პროექტის ქართულ-გერმანული ნაწილის მომზადებაში.	ავსტრიის ქ. გრაცის კარლ-ფრანცენსის უნივერსიტეტის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

	მასალის მომზადებას).			

პროექტის ძირითადი თეორიული შედეგები:

1. შეგროვებული და დამუშავებულია საქართველოში არსებული ლიტერატურა (თბილისის ბიბლიოთეკებში, სახელმწიფო არქივში, ხელნაწერთა ინსტიტუტში, ლიტერატურის მუზეუმში და ა.შ.) ჰუგო შუხარდტის, მისი შემოქმედების, კორესპონდენციის, მისი სამეცნიერო ნაშრომების თაობაზე გამოქვეყნებული რეცენზიების და სხვ. შესახებ;

2. შესწავლილია ავსტრიის ქ. გრაცის კარლ ფრანცენსის უნივერსიტეტის სხვადასხვა ინსტიტუტების ბიბლიოთეკებსა და ჰ. შუხარდტის არქივში ჰ. შუხარდტზე არსებული მასალები, განსაზღვრულია ამ მასალებზე მუშაობის რელევანტური და პრაგმატული გზები;

3. სისტემაშია მოყვანილი დამუშავებული ლიტერატურა, ასევე ჰ. შუხარდტის კორესპონდენცია, რომელიც დახარისხებულია იმ ქართველ და უცხოელ მოღვაწეთა წერილების მიხედვით, ვისთანაც ჰ. შუხარდტს ჰქონდა მიმოწერა საქართველოში (ი. ჭავჭავაძე, პ. მელიქიშვილი, ა. ცაგარელი, ა. ხახანაშვილი, მ. ჯანაშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, ნ. ჟორდანია, ნ. ღოღობერიძე, ა. შანიძე, ა.ლაისტი, რ. მეკელაინი, ა. დირი და სხვ.).

4. დამუშავებულია პრაქტიკული მუშაობისათვის რელევანტური ტრანსკრიპცია, ტრანსლიტერაცია, მოძიებულია სათანადო ლექსიკონები და სხვ.

პროექტის ძირითადი პრაქტიკული შედეგები:

1. შესრულებულია ჰუგო შუხარდტის კორესპონდენციიდან გერმანული ტექსტების ტრანსკრიპცია, თარგმანი, კომენტარები და მათი ელ. ვერსია;

2. შესრულებულია ჰუგო შუხარდტის კორესპონდენციიდან ქართული ტექსტების გერმანულ ენაზე თარგმნა, მათი ტრანსლიტერაცია, კომენტირება და ელ. ვერსია;

3. შესრულებულია ჰუგო შუხარდტის პუბლიკაციებთან დაკავშირებული ქართული წყაროების, ასევე ჰ. შუხარდტის ნაშრომებზე გამოქვეყნებული რეცენზიების ინვენტარიზაცია, გერმანულ ენაზე თარგმნა და დიგიტალიზაცია (წერილები და რეცენზიები ჰ. შუხარდტის შესახებ ჟურნალებში: „ივერია“, „კვალი“, „ისარი“ და სხვ.;

4. მომზადებულია მასალა ჰუგო შუხარდტის არქივისა და ვებ გვერდისათვის.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	სამეცნიერო მივლინება	კონსტანტინე	კონსტანტინე	გერმანიის

	დიუსელდორფის ჰაინრიხ ჰაინეს უნივერსიტეტში - მასალების მოძიება და დამუშავება გერმანული ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოსათვის	ბრეგაძე	ბრეგაძე	აკადემიური გაცვლების სამსახური **(DAAD)**
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე) მასალების მოძიება და დამუშავება გერმანული ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოსათვის (საბაკალავრო პროგრამა - *გერმანული ფილოლოგია*).				

ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დებულების მე-2 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის

სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

2015 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში

თბილისი

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი
* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი პროფ. რისმაგ გორდეზიანი
* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა

ასოც. პროფ. ნანა ტონია

ასოც. პროფ. ირინე დარჩია

ასოც. პროფ. იამზე გაგუა

ასოც. პროფ. მანანა ფხაკაძე

ასოც. პროფ. რუსუდან ცანავა

ასოც. პროფ. ეკატერინე კობახიძე

ასოც. პროფ. ქეთევან ნადარეიშვილი

ასოც. პროფ. ზაზა ხინთიბიძე

სრული პროფ. თინა დოლიძე

ასისტ. პროფ. თამარ აფციაური

სრული პროფ. სოფიო შამანიდი

ასოც. პროფ. ანი ჩიქოვანი

ასისტ. პროფ. მაკა ქამუშაძე

I. 1. <u>საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით</u> 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

I. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული

სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ანტიკურობის რეცეფცია ქართულ ლიტერატურაში (კლასიკური ფილოლოგია; ქართული ლიტერატურის ისტორია)	შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდი	ნანა ტონია	მაია დანელია ეკატერინე კობახიძე გვანცა კოპლატაძე გიორგი უგულავა ზაზა ხინთიბიძე
დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				
მომზადდა საენციკლოპედიო ხასიათის ნაშრომი, სადაც აისახა ანტიკური ტრადიციების გავლენის კვალი ქართველი მწერლებისა და პოეტების შემოქმედებაზე ქართული ლიტერატურის განვითარების ყველა პერიოდში (V-XXI სს.). პროექტში წარმოდგენილია ქართველ შემოქმედთა (დაახლ. 150) ნაწარმოებებიდან ანტიკურობის რეცეფციის ამსახველი მნიშვნელოვანი პასაჟები, რომელთაც ერთვის სათანადო მეცნიერული კომენტარი. ნაშრომი შესრულებულია როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე და განთავსებული ორენოვან ვებ-გვერდზე, აღჭურვილია დეტალური საძიებო სისტემით.				

I. 4.

2	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	„ვეფხისტყაოსნის“ კომენტარი (რუსთველოლოგია; კლასიკური ფილოლოგია)	შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდი	ელგუჯა ხინთიბიძე	დარეჯან თვალთვაძე ზაზა ხინთიბიძე
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				
ჩატარებულია მოსამზადებელი სამუშაოები, რაც გულისხმობს სხვადასხვა სახის რუსთველოლოგიური სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა-დამუშავებას; პირადად მე გავეცანი და დავამუშავე 10-მდე ამგვარი მონოგრაფია და დავიწყე მუშაობა შაირობის რუსთველური თეორიის (ვეფხისტყაოსნის 12-17 სტროფები) კომენტარზე არისტოტელეს „პოეტიკისა“ და „ნიკომაქეს ეთიკის“ და პლატონის „სახელმწიფოს“ გათვალისწინებით.				

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	რისმაგ გორდეზიანი	ინოვაცია, ფორმალიზმი,	თბილისი, ლოგოსი	415

		ავანგარდი ანტიკურ ლიტერატურაში		
2	რისმაგ გორდეზიანი	ბიოგრაფიულ-ბიბლიოგრაფიული სამახსოვრო	თბილისი, ლოგოსი	93
3	ნანა ტონია	ანტიკურობა და ევროპული ლიტერატურა	თბილისი, ლოგოსი	307
4	ლ. ალექსიძე, ი. გაგუა, მ. დანელია, ე.კობახიძე, ნ. რუხაძე	ლათინური იურიდიული ტერმინოლოგია	თბილისი, მერიდიანი	678
5	რუსუდან ცანავა	Opuscula	Tbilisi, logosi	445
6	მედეა აბულაშვილი, სვეტლანა ბერიკაშვილი, მაია კაკაშვილი, მედეა მეტრეველი, ქეთევან ცინცაძე, ანი ჩიქოვანი, რედაქტორი სოფიო შამანიდი	ქართულ-ახალბერძნული ლექსიკონი	თბილისი, ლოგოსი	468
7	მანანა ფხაკაძე	მენანდროსის ხასიათები და დრამატურგიული ტექნიკა	თბილისი, "ლოგოსი", 2015	206

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. წიგნის შესავალს, 5 განყოფილებასა და 22 თავში განხილულია ანტიკურ ლიტერატურაში მიმდინარე პროცესები, რომლებიც წარმოაჩენენ თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ძველბერძნულსა და რომაულ მწერლობაში სიახლეების დანერგვის, ფორმალისტური ძიებებისა და ავანგარდისტული მისწრაფებების ხვედრითი წილი ჰომეროსიდან გვიანანტიკურობის ჩათვლით.

2. წიგნში შედგება 4 თავისაგან: Curriclum Vitae; რამდენიმე ავტობიოგრაფიული ესკიზი; სამეცნიერო ნაშრომთა სრული ბიბლიოგრაფია; სამეცნიერო ნაშრომთა მიმოხილვა.

3. ანტიკური ლიტერატურის გავლენა მუდამ იგრძნობოდა ევროპული მწერლობის განვითარების ყველა ეტაპზე. მკვლევარნი რუდუნებით სწავლობდნენ იმ პროცესებს, რაც ანტიკურობის მუდმივობას განაპირობებდნენ. ამ თემას ეძღვნება ორ წიგნად გამოცემული ეს მონოგრაფიაც. პირველ წიგნში საუბარია ანტიკური ლიტერატურის თავისებურებებსა და იმ გავლენებზე, რასაც განიცდიდა შუა საუკუნეებისა და რენესანსის მხატვრული აზროვნება. მეორე წიგნში წარმოდგენილია ბოლო საუკუნეთა ევროპული მწერლობის პანორამა ანტიკური ლიტერატურული ტრადიციების ფონზე.

4. "ლათინური იურიდიული ტერმინოლოგია" წარმოადგენს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ფუნდამენტური კვლევების მიმართულებით 2012-2014 წლებში დაფინანსებული პროექტის საფუძველზე შექმნილ გამოკვლევას, რომელიც მომზადდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე. ნაშრომი რამდენიმე ნაწილისაგან შედგება: წინასიტყვაობა, შესავალი, I. ლათინური იურიდიული ტერმინოლოგია, II. ლათინური იურიდიული ფორმულები და გამონათქვამები, III. რომაელი იურისტები და კანონმდებლები, IV. დანართი. II თავში წარმოდგენილია ლათინურ იურიდიულ ტერმინთა განმარტება და წარმომავლობის ისტორია, ლათინურ ტერმინს თან ახლავს ტრანსკრიფცია, საჭიროების შემთხვევაში მითითებულია ტერმინის პირველწყარო, ასევე მოცემულია ინფორმაცია ტერმინის დადასტურებისა რომის სამართალსა და ქართულ სამართლებრივ აქტებსა და წყაროებში. თუ ტერმინი გამოიყენება თანამედროვე ქართულ

კანონმდებლობაში, მითითებულია შესაბამისი აქტი და მუხლი. ამ თავში თავმოყრილია არა მარტო რომაული სამართლის წიაღში წარმოქმნილი ლემები, არამედ შუასაუკუნეების და უფრო გვიანდელ ეპოქაში ჩამოყალიბებული ლათინური იურიდიული ტერმინები (დაახლ. 400 ერთეული). ნაშრომის III თავში თავმოყრილია ლათინური იურიდიული ტერმინები და გამონათქვამები, რომელთაც ხშირად იყენებენ როგორც ანტიკური ხანის რომაელი მწერლები, საზოგადო მოღვაწეები და სამართალმცოდნენი, ასევე შუასაუკუნეებისა და მომდევნო ეპოქის რომის სამართლის სპეციალისტები. აქაც გამონათქვამებს თან ახლავს ტრანსკრიფცია, რაც აადვილებს ლათინური სენტენციის სწორად წარმოთქმას. ნაშრომის IV თავი ეძღვნება რომაელ იურისტებსა და კანონმდებლებს. იგი შეიცავს ზოგადი სახის ინფორმაციას ცნობილი სამართალმცოდნეების, საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეთა შესახებ, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს რომის სამართლის ისტორიის შექმნაში. დანართში წარმოდგენილია ლათინური გრამატიკული ცნობარი (ანბანი, ფონეტიკის ელემენტები, წარმოთქმის წესები, ხმოვნების სიგრძე-სიმოკლისა და მახვილის წესები, ბრუნებისა და უღლების გრამატიკული მოდელები) რაც აადვილებს ლათინური ტერმინების, ფორმულებისა და გამონათქვამების ზუსტად გაგებას.

5. წიგნში შევიდა 20 ნარკვევი, სტატია, ესე (ანუ, ლათინურად opusculum-ები). ნაშრომები განაწილდა 3 ქვეთავში: 1. ანტიკური მითოსი და ლიტერატურა 2.ლიტერატურისმცოდნეობა 3. წერილები ქართულ ლიტერატურაზე. პირველ ნაწილში შევიდა : *ტრიადა – საწმისი, მუხა, გველი; სამსახოვანი ჰეკატე; მდედრ ღვთაებათა ზოგიერთი ფუნქციის ინტერპრეტაციისთვის მითსა და რიტუალში; მითორი-ტუალური მოდელების გენეზისისა და ფორმირების საკითხისათვის (ორი მოდელის ანალიზის მაგალითზე); აგრესია და რიტუალი.* ეს ნარკვევები და სტატიები, ფაქტობრივად, მდედრი ღვთაების (magna mater-ის) უნივერსალურ სახეს სხვადასხვა კონტექსტში წარმოაჩენს. ამ კვლევებში განსაკუთრებული ფუნქცია ეკისრება ქართულ–კავკასიურ მასალას. ამავე ნაწილში შევიდა: *„კრეტელი“ ოდისევსი და ხის ცხენი,* რომლებშიც წარმოდგენილია ჰომეროსის „ოდისეას“ რამდენიმე პასაჟის ჩემეული ინტერპრეტაცია. აქვეა სტატია: *ჭორის ფუნქცია ანტიკურ ეპოსში.* მეორე ნაწილში – ლიტერატურისმცოდნეობა – *შედის: პოეტური სემანტიკა, ტროპები.* ამ ნარკვევში (რომელიც სტუდენტებისთვისაა გამიზნული) გამოვყავით ორი „ღერძული“ ტროპი – მეტაფორა და სიმბოლო – და მათთან მიმართებით განვიხილეთ პოეტური სემანტიკის განმაპირობებელი სხვა ტროპები. ამავე თავში წარმოდგენილია სტატიები: *სიმბოლო, ნიშანი, ტექსტი; მეტაფორა და მეტამორფოზა.* ლიტერატურისმცოდნეობის კონტექსტით არის განხილული *ეპიკური ჟანრის სათავეებთან; ანტიკური ეპოსი.* მესამე ნაწილში შევიდა წერილები ქართულ ლიტერატურაზე. ყველა განხილულ შემთხვევაში ჩვენი ყურადღების ცენტრშია ტექსტების კვლევა მითთან, რიტუალთან, ფოლკლორთან მიმართებით. გამოიკვეთა საინტერესო პარალელები ანტიკურობასთან. განვიხილავთ: სულხან–საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“, ერთ სტროფს რუსთველის „ვეფხისტყაოსნიდან“, ორ რიტუალს ვაჟა–ფშაველას პოემების მიხედვით, გრიგოლ რობაქიძის „ლონდას“, ნიკო ლორთქიფანიძის „ქედუხრელნს“, კონსტანტინე გამსახურდიას „ხოგაის მინდიას“, ჯემალ ქარჩხაძის „იგის“, ოთარ ჭილაძის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“.

6. ქართულ-ახალბერძნული ლექსიკონი თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის ახალი ბერძნული ფილოლოგიის მიმართულების თანამშრომელთა მრავალწლიანი მუშაობის შედეგად მომზადდა და გამოიცა. ლექსიკონს თან ერთვის გრამატიკული მასალის ამსახველი ცხრილები, აბრევიატურები და გეოგრაფიული სახელები. ლექსიკონი განკუთვნილია როგორც საქართველოში მცხოვრებ ბერძნული ენის შესწავლის მსურველთათვის, ასევე საბერძნეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისათვის.

7. “ახალი ატიკური კომედიის” ვარსკვლავის - ძველი ბერძენი კომედიოგრაფოსის მენანდროსის შესახებ მონოგრაფია ქართულ ენაზე ჯერ არ გამოქვეყნებულა. ნაშრომში ნაჩვენებია მენანდროსის ნოვატორობა ლიტერატურული ხასიათების გამოკვეთისა და დრამატურგიული ტექნიკის - კომპოზიციისა და მოქმედების აგების სტრუქტურის თვალსაზრისით, ასევე მოქმედების განვითარება- მიმდინარეობის კავშირი მოქმედ პირთა ხასიათებთან. მენანდროსის ნოვატორობის განსახილველად ნაჩვენებია მენანდროსამდე

ძველი ბერძნული დრამის (ესქილე, სოფოკლე, ევრიპიდე, არიტოფანე) განვითარების გზა.

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	რისმაგ გორდეზიანი, მაია დანელია, გიორგი უგულავა და სხვები (მათ შორის ზაზა ხინთიბიძე)	ანტიკური კავკასია - ენციკლოპედია, II, 1 ა	თბილისი, „ლოგოსი“	186 გვ.
2	ნანა ტონია, ეკატერინე კობახიძე, გვანცა კოპლატაძე, ზაზახინთიბიძე, მაია დანელია	ანტიკურობის რეცეფცია ქართულ ლიტერატურაში	www.classicaltradition.tsu.ge	
3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

1. ენციკლოპედია „ანტიკური კავკასია“, მიზნად ისახავს, პირველად კლასიკური ფილოლოგიისა და კავკასიოლოგიის ისტორიაში შეკრიბოს და მეცნიერულად დაამუშავოს მთელი ინფორმაცია ანტიკური კავკასიის შესახებ, რომელიც ცალკე რეგიონად პირველად სწორედ ძველ ბერძნულ წყაროებში დაფიქსირდა. ანტიკურ წყაროებშივე მოხდა მისი გეოგრაფიული საზღვრებისა და მულტიეთნიკური ხასიათის განსაზღვრა. ენციკლოპედიაში სრულყოფილად აისახება ანტიკურ კავკასიასთან და კონკრეტულად საქართველოსთან დაკავშირებული ამომწურავი ინფორმაცია, გაანალიზებული იქნება ამ სფეროში არსებული უახლესი სამეცნიერო კვლევა და ხედვა, წარმოდგენილი იქნება წყაროებით დოკუმენტირებული მასალა. 2014 წელს გამოიცა მეორე ტომის პირველი ნაკვეთი, რომელიც მოიცავს ა ასოს და მასში შესულია 500-მდე საენციკლოპედიო სტატია. ცალკეული სტატიის სტრუქტურა, ამგვარია: ტერმინი, მისი ეკვივალენტი ბერძნულ ან ლათინურ ენაზე, ზოგადი განმარტება, კვლევითი ნაწილი, რომელშიც წარმოდგენილია საკითხის შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა, ბიბლიოგრაფია.

2. პროექტი „ანტიკურობის რეცეფცია ქართულ ლიტერატურაში“ განხორციელდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე. პროექტმა 2013 წელს გაიმარჯვა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში გამოყენებითი კვლევების მიმართულებით. პროექტის განხორციელებაში მონაწილეობდა თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფი: ასოც. პროფ. ნანა ტონია (ხელმძღვანელი) ასოც. პროფ. გვანცა კოპლატაძე, ასოც პროფ. ეკატერინე კობახიძე, ასოც. პროფ. ზაზა ხინთიბიძე, ფილ. დოქტ. მაია დანელია, ფილ. დოქტ. გიორგი უგულავა, ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია მოიცავს ქართული ლიტერატურის განვითარების ყველა პერიოდს (V-XXI სს.). ამჟამად ვებ გვერდზე ატვირთულია 140-მდე ქართველი მწერლისა და პოეტის შესახებ

ინფორმაცია. ანტიკურობის რეცეფციის ამსახველ მნიშვნელოვან პასაჟებს თან ერთვის სათანადო მეცნიერული კომენტარები.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	რისმაგ გორდეზიანი	The Pregreek-Caucasian Hypothesis at the Modern Stage of Research	ფაზისი, 18	თბილისი, ლოგოსი	16
2	ცანავა რუსუდან	Mythopoetics of Metamorphosis “Phasis” (Greek and Roman Studies)	№18	თბილისი, ლოგოსი	11
3	Ekaterine Kobakhidze	Latin Legal Terminology in the Monuments of Georgian Law	Phasis, Greek and Roman Studies vol.18, 2015	თბილისი, თსუ გამომცემლობა	იბეჭდება
4	Ekaterine Kobakhidze	Akaki’s Interpretation on Legend on Azon	მე-9 საერთაშორისო სიმპოზიუმის „ტრადიცია და თანამედროვე ლიტერატურა“ მოხსენებათა კრებული	თბილისი, თსუ გამომცემლობა	იბეჭდება
5	ნანა ტონია, ეკატერინე კობახიძე, მაია დანელია	გივი გაჩეჩილაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული (სტატია- ანტიკურობის რეცეფცია ქართულ ლიტერატურაში- ნაბიჯი ინტერკულტურული დიალოგისკენ	გივი გაჩეჩილაძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული	თბილისი, თსუ გამომცემლობა	გადაცემულია დასაბეჭდად
6	ქეთევან ნადარეიშვილი	სჯანი, ჟურნალი ლიტერატურის თეორიასა და შედარებით ლიტერატურათმცოდნეობაში		თბილისი, თსუ გამომცემლობა	12 გვ.
7	ქეთევან ნადარეიშვილი	ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა; მე-9 საერთაშორისო სიმპოზიუმი, ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები		თბილისი, თსუ გამომცემლობა	8 გვ. იბეჭდება
8	Tina Dolidze	Der Inbegriff des Kinetischen im Menschen bei Gregor von Nyssa (ადამიანის კინეტიკურობის არსი გრიგოლ ნოსელის მიხედვით)	Phasis. Greek and Roman Studies, Insitute of Cassical, Byzantine and Modern Greek Studies, Iv. Javakhishvili Tbilisi	Tbilisi	13 გვერდი გადაცემულია გამოსაცემად

			State University, v.17		
9	თ. დოლიძე, თ. გელაშვილი	საღმრთისმეტყველო ტერმინოლოგიის ლექსიკონი, II, წმ. გრიგოლ ნაზიანზელის 31-ე სიტყვის ლექსიკა	წელიწდეულში: ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი., 4/2011	თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი	გვ. 156-203. გამოიცა 2015 წელს
10	თ. დოლიძე, თ. გელაშვილი	საღმრთისმეტყველო ტერმინოლოგიის ლექსიკონი, III, წმ. გრიგოლ ნაზიანზელის 30-ე სიტყვის ლექსიკა	წელიწდეულში: ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი., 5/2012	თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი	გვ. 79-122 გამოიცა 2015 წელს
11	მანანა ფხაკაძე, რაულ ჩაგუნავა	„ვახტანგ VI-ის ლექსიკოგრაფიული მოღვაწეობა“	“წელიწდეული”	თბილისი	იბეჭდება
12	Manana Pkhakadze, Raul Chagunava	Camara” of Tacitus and “Lasical Menexila” of Evliya Celebi	Phasis; Greek and Roman Studies;	Tbilisi, Logos Publishing	in print

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. The Pregreek-Caucasian Hypothesis at the Modern Stage of Research - სტატია წარმოადგენს საერთაშორისო კონფერენციაზე “ანტიკური კულტურისა და მისი მემკვიდრეობის აქტუალური პრობლემები” (2014) წაკითხული მოხსენების ტექსტს. მისი პუბლიკაცია თავდაპირველად გათვალისწინებული იყო ფაზისის 2014 წლის ნომერში დასაბეჭდად, თუმცა სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილებით იგი იბეჭდება 2015 წლის ნომერში.

2. სტატიაში გაანალიზებულია მითოპოეტური აზროვნების ერთ–ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტის – მეტამორფოზის მიმართება მეტაფორასთან. სტატიაში ვცდილობ დავასაბუთო, რომ მეტამორფოზა ე.წ. „საბაზო მეტაფორის“ უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. ამ კონტექსტში არის განხილული ოვიდიუსის „მეტამორფოზები“

3. სტატია ეფუძნება ფუნდამენტური კვლევის მიმართულებით შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2012-2014 წლებში დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ავტორის მიერ შესრულებული სამუშაოს- ლათინური იურიდიული ტერმინოლოგიის ქართულ სამართლებრივ სივრცეში დადასტურების შემთხვევების გამოვლენას. ეს საკითხი სისტემური სახით აქამდე არ ყოფილა შესწავლილი მეცნიერებაში. პროექტის სპეციფიკა არ ითვალისწინებდა მოძიებული მასალის სისტემატიზაციას, რაც შესრულდა მოცემული სტატიის ფარგლებში. მასალის სისტემურმა ანალიზმა არაერთი საყურადღებო დასკვნისთვის ნოყიერი ნიადაგი შექმნა. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ლათინური იურიდიული ტერმინოლოგიის ქართული სამართლის ძეგლებში დადასტურების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე სხვადასხვა ეპოქაში ტერმინების რეცეფციის სხვადასხვა წყარო და ტერმინთა ფორმირების სხვადასხვა ტენდენცია არსებობდა. სტატიაში დამოწმებულია ტერმინთა პირველწყაროები, გამოთქმულია ვარაუდები ცალკეული ტერმინის ეტიმოლოგიის შესახებ, მოცემულია ტერმინთა თავდაპირველ მნიშვნელობათა ეტაპობრივი ცვლილების ქრონოლოგიური სურათი.

4. 1908 წლით დათარიღებულ მოთხრობაში „ვინ არის აზნაური (ლეგენდა)“ აკაკი წერეთელი წარმოადგენს ქართულ ლიტერატურაში საკმაოდ პოპულარული და ტრადიციული სიუჟეტის მეტად ორიგინალურ ინტერპრეტაციას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ თქმულება აზო/აზონზე

ქართულ ლიტერატურაში XI საუკუნიდან არის ცნობილი. ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ მოგვითხრობს ისტორიას ალექსანდრე მაკედონელის მიერ ქართლში შემოჭრისა და მაკედონელი მოლაშქრეების ნაწილის აზონ მხედართმთავრის წინამძღოლობით საქართველოში დამკვიდრების შესახებ. საყურადღებოა, XII საუკუნის უცნობი ავტორის თხზულება „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოჲსი“ და არსებნ ბერის XIII საუკუნის ნაწარმოები „ცხორებაი და მოქალაქეობაი და ღუაწლი წმიდისა და ღირსისა დედისა ჩუენისა ნინოისი, რომელმან ქადაგა ქრისტე, ღმერთი ჩუენი, ქუეყანასა ჩრდილოისასა და განანათლა ნათესავი ქართველთაი“ ლეონტი მროველის მიერ გადმოცემულ ამ ამბავს განსხვავებულად წარმოაჩენს. ნიშანდობლივია, რომ ამავე სიუჟეტის საინტერესო ვერსია მოცემულია ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლაშიც“. სტატია ეძღვნება აზო/ აზონის შესახებ ქართულ ლიტერატურაში არსებული სიუჟეტის ვარიანტების განხილვას, საკითხზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზს და იმის დადგენას, თუ ნარატივის რომელი ვერსია არის აკაკი წერეთლის მოთხრობაში გადმოცემულ ამბავთან ყველაზე მეტად ახლომდგომი. აკაკის ვერსიის მნიშვნელობის შესაფასებლად სტატიაში წარმოდგენილია შემდგომი პერიოდის მწერლობაში სიუჟეტის გადამუშავების კონკრეტული შემთხვევებიც. შედეგად, აკაკი წერეთლის მოცემული თხზულების მაგალითზე წარმოდგენილია ტრადიციის და ნოვაციის ურთიერთმიმართებისა და ანტიკურობის რეცეფციის სურათი აკაკის შემოქმედებაში.

5. სტატიაში წარმოდგენილია პროექტის „ანტიკურობის რეცეფცია ქართულ ლიტერატურაში“ შესახებ ინფორმაცია. მიმდინარეობს საენციკლოპედიო ხასიათის ნაშრომის მომზადება, სადაც აისახება ანტიკური ტრადიციების გავლენის კვალი ქართველი მწერლებისა და პოეტების შემოქმედებაზე, ქართული ლიტერატურის განვითარების ყველა პერიოდში (V-XXI ს.ს.). მოძიებული და წარმოდგენილი იქნება ქართველ შემოქმედთა ნაწარმოებებიდან ანტიკურობის რეცეფციის ამსახველი მნიშვნელოვანი პასაჟები, რომელთაც დაერთვება სათანადო მეცნიერული კომენტარები. თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში ქართული ლიტერატურისადმი ამ თვალსაზრისით აღძრული ინტერესის გათვალისწინებით, ნაშრომი შესრულდება როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე და განთავსდება ორენოვან ვებ-გვერდზე, რომელიც აღჭურვილი იქნება დეტალური საძიებო სისტემით.

6. სტატია განიხილავს მედეას მითოსის საკვანძო პრობლემას – მედეას მითოლოგიური ფიგურის არსის/ სტატუსის საკითხს, რომელიც მედეას მითთან მიმართებით კვლავ ერთ-ერთ ყველაზე პრობლემატურ თემად მოიაზრება. ნაშრომში ძირითადად შესწავლილია შემდეგი საკითხები: რა სტატუსის/ების მქონედ წარმოგვიდგებოდა ეს მითოლოგიური ფიგურა; როგორი ხასიათის იყო დიაქრონულ ჭრილში მისი სტატუსის ცვლილება; რამდენად განსხვავებული იყო გრძნეულების/მაგიის ფენომენთან მედეას მიმართება მისი მითოსური ბიოგრაფიის სხვადასხვა ეტაპზე. სტატიაში მოცემულია საკითხის შესწავლის ისტორია და კვლევის თანამედროვე მდგომარეობა; წარმოჩენილია გრძნეულების ფენომენთან მედეას მიმართების დასადგენად საზოგადოდ ანტიკურობაში მაგიის/ჯადოქრობის სემანტიკური ველის გარკვევის მნიშვნელობა.
ნაშრომში წარმოდგენილია მედეას არსის/სტატუსის შესწავლის მეთოდოლოგია. გამომდინარე იქიდან, რომ მედეას არსი განსხვავებულადაა რეპრეზენტირებული როგორც მითოსის სხვადასხვა პერიოდის ფენებში, ისე მედეას მითოსური ბიოგრაფიის სხვადასხვა ნარატივში, სტატიაში მიზანშეწონილადაა მიჩნეული დასახელებული საკითხის კვლევა ე.წ. მითოსის „ვერტიკალური“ და „ჰორიზონტალური ტრადიციის“ მიხედვით. მედეას მითოსის ე.წ. ჰორიზონტალური ტრადიცია წარმოდგენილია – კოლხური, იოლკოსური, კორინთოსული და ათენური ნარატივებით, რომლებიც, თავის მხრივ, შესწავლილია მითის ე.წ. ვერტიკალური ტრადიციის შესაბამისად (ანუ დიაქრონულ ჭრილში). ანტიკურ წყაროთა ფართო სპექტრის კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მედეას მითოლოგიური ფიგურის არსი განსხვავდება არა მარტო ერთი და იმავე პერიოდის მითოსის სხვადასხვა ნარატივში, არამედ ერთი ეპიზოდის ფარგლებშიც. კერძოდ, კოლხური ეპიზოდის უძველეს შრეებში გაჭირდება მედეას ასოცირება ჯადოქრობასთან (რეალურად იგი არ ეხმარება იასონს), თანდათან ხდება მისი ჯერ pampharmakos Xeina-დ (ყოველგვარი წამლის/საწამლავის მცოდნე უცხოელ ქალწულად) მოაზრება, შემდეგ კი – ძლევამოსილ ჯადოქრად გარდაქმნა; იოლკოსურ ნარატივში კი, პირიქით – ზეადამიანურ სფეროსთან მედეას კავშირი მითის უძველეს შრეებში ვლინდება (ზეადამიანურ კონტექსტში მედეას მოაზრებისას მედეას მიიჩნევენ: გაახალგაზრდავების ფუნქციის მქონე ღვთაებად; ინიციაციის წარმმართველად;

ჯადოქრად). ამ ნარატივის ფარგლებში გამოკვეთილ ჯადოქრად მედეას ატიკური დრამა წარმოგვიდგენს. კორინთოსელ მედეას მითოსის ადრეულ შრეებში საერთოდ არა აქვს კავშირი ჯადოქრობასთან. ამ ნარატივში ადგილი აქვს მედეას სტატუსის ჩამოქვეითებას ღვთაებიდან გმირ დედოფლამდე. საინტერესოა, რომ კორინთოსელი ნარატივის ყველაზე ცნობილ ილუსტრაციაში – ევრიპიდეს „მედეას“ ფინალში მედეა უბრუნდება თავის, ტრადიციით ცნობილ, ზეადამიანურ სტატუსს, თუმცა როგორ შეიძლება ამ სტატუსის იდენტიფიკაცია, მეცნიერებაში საკამათოა. ათენურ ნარატივში (წინა ნარატივებთან შედარებით გვიანდელ ნარატივში) მედეა საერთოდაც არ გვევლინება ჯადოქრად და მხოლოდ საწამლავთა კარგ მცოდნედ წარმოგვიდგება.
ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ მითთა თხზვის საუკუნოვან პროცესში მედეას სტატუსი არ იცვლებოდა სწორხაზოვნად – ღვთაებიდან ჯადოქრამდე; კვლევამ გამოავლინა ის გარემოებაც, რომ მედეას მიმართება ჯადოქრობის სფეროსთან განსხვავებულია მისი მითოსური ბიოგრაფიის სხვადასხვა ეტაპზე. მსჯელობა იმის შესახებ, თუ რა და რა სტატუსი ჰქონდა მედეას ფიგურას, ვფიქრობთ, მხოლოდ ზოგად ხაზებში შეიძლება. ეს ხაზი, სავარაუდოდ, ასე წარმოგვიდგება – (მცირე) ქალღმერთი – მერყეობა ზებუნებრივისა და ადამიანურ გმირს შორის – pampharmakos Xeina – ძლევამოსილი ჯადოქარი. ამასთან, აპოლონიოს როდოსელიდან მოყოლებული სახეზეა მედეას პოლარიზებული წარმოდგენა – მედეას სახეში თანაარსებობს ძლევამოსილი ჯადოქარი და puella simplica-დ წარმოჩენილი არსება, რომელიც მაგიური ძალმოსილების განსხვავებული დოზებითა და ოვერტონებითაა დახატული სხვადასხვა ავტორთან.

7. ავტორი და ტრადიცია: მედეას მითოლოგიური ტრადიცია და აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ განხილულია აპოლონიოს როდოსელისა და ელინური ეპოქის მითოლოგიურ ტრადიციებში მედეას სახის ასახვის პრობლემები. წარმოდგენილია ის პრინციპები, ორმელთა საფუძველზეც აპოლონიოს როდოსელმა მოახდინა მითოსური სახის მხატვრულ სახედ ტრანსფორმაცია.

8. მოძრაობის იდეა გრიგოლ ნოსელის ანთროპოლოგიაში განხილულია შემდეგი თემების მიხედვით: (1) კოსმიური მოძრაობა და მისი მიმართება ადამიანთან; (2) სულისა და სხეულის მოძრაობა ადამიანში და (3) სულის აღსვლა ღვთისკენ როგორც მოძრაობის სახეობა. ნოსელის ანთროპოლოგია სინკრეტული ხასიათისაა. ის ძირითადად პლატონური, არისტოტელური და სტოური ანთროპოლოგიის ელემენტებისგან შედგება. მიუხედავად ამისა, გამოკვლევაში გამოთქმულია აზრი, რომ უმცროსი კაპადოკიელი ღვთისმეტყველის ანტროპოლოგიური კონცეფცია ადამიანის კინეტიკურობის შესახებ ავთენტურად უნდა ჩაითვალოს. გრიგოლ ნოსელი, ფილოსოფიური ტრადიციისგან განსხვავებით, ახალ მიმართებას ხედავს სამყაროს, ადამიანსა და ღმერთს შორის, რაც ფილოსოფიური მემკვიდრეობის ბიბლიური მოდელის მიხედვით გააზრების შედეგია. გრძნობადი კოსმოსის წრებრუნვა, რომელიც ანტიკურ ფილოსოფიაში მოძრაობის იდეალურ სახედ იყო მიჩნეული, ნოსელის ნააზრევში კარგავს უწინდელ მნიშვნელობას. მართალია, ღვთით მართული ხილული სამყარო ნიმუშია გონების, ვნებათა და სხეულის ძალთა ჰარმონიული თანაარსებობისა, მოძრაობის უმაღლეს სახედ ნოსელს მაინც ადამიანის უსასრულო ხარისხობრივი პროგრესი, ანუ უსასრულო სულიერი წინსვლა, ესახება. ამ სულიერი პროცესის გეომეტრიულ ანალოგს ნოსელი ვერტიკალურ წრფეში პოულობს.

9. პუბლიკაცია წარმოადგენს მეორე გამოშვებას სერიიდან ”ერთი ტექსტის ლექსიკონი”, რომელიც მიზნად ისახავს ერთი თეოლოგიური ტექსტის ბერძნულ-ქართულ ლექსიკურ შესატყვისობათა ამომწურავ ანალიზს. გრიგოლ ნაზიანზელის ორივე საღვთისმეტყველო სიტყვა ნათარმნია ექვთიმე ათონელის მიერ მისთვის დამახასიათებელი თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდის გამოყენებით. ბერძნული დედნისა და მისი ქართული თარგმანის თავისებური მიმართება ფართოდაა ასახული ორივე ტექსტის დოკუმენტირებულ ლექსიკონში.

10. პუბლიკაცია წარმოადგენს მესამე გამოშვებას სერიიდან ”ერთი ტექსტის ლექსიკონი”, რომელიც მიზნად ისახავს ერთი თეოლოგიური ტექსტის ბერძნულ-ქართულ ლექსიკურ შესატყვისობათა ამომწურავ ანალიზს. გრიგოლ ნაზიანზელის ორივე საღვთისმეტყველო სიტყვა ნათარმნია ექვთიმე ათონელის მიერ მისთვის დამახასიათებელი თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდის გამოყენებით. ბერძნული დედნისა და მისი ქართული თარგმანის თავისებური მიმართება ფართოდაა ასახული ორივე ტექსტის დოკუმენტირებულ ლექსიკონში.

11. ვახტანგმა ქმედითი მონაწილეობა მიიღო სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის შედგენასა და დახვეწაში. მან გადაწერა ლექსიკონის ყველაზე ადრეული ნუსხის რამდენიმე ფურცელი და ქრონოლოგიურად მომდევნო ნუსხის აბსილუტურად უმეტესი ნაწილი. თითქმის ყველა ნუსხაში შეჰქონდა ფასეული დამატებები და შესწორებები. ვახტანგმა როგორც ასტრონომიის, ქიმიის, ელემენტარული მათემატიკის ფუძემდებელმა საქართველოში შეიმუშავა ამ დარგების შესაბამისი სამეცნიერო ტერმინოლოგიები.

12. კორნელისუსს ტაციტუსს (დაახლ. 55-116/120 წწ) თავის „ისტორიაში“ საინტერესო ცნობა მოჰყავს კამარიტების დიდი ტომის შესახებ, რომლებსაც ეს სახელი მათ მიერ გამოყენებული და ბერძნულად „კამარებად“ წოდებული, განსაკუთრებული კონსტრუქციის ნავების გამო შეერქვათ. სინამდვილეში ამ სახელით მოიხსენიებდნენ შავი ზღვის სანაპიროს სამხრეთ-აღმოსავლეთის მიდამოებში მცხოვრებ ქართველ ტომებს, რომელთა ნავები ბერძნული ანალოგებისაგან თვალსაჩინო განსხვავების გამო, საკმაოდ დაწვრილებით აღწერა რომაელმა ისტორიკოსმა.ადგილობრივი მოსახლეობა რომ კამარებს შემდეგ საუკუნეებშიც ამზადებდა და იყენებდა, ეს ირკვევა მე-17 საუკუნის ცნობილი თურქი მოგზაურის ევლია ჩელე ბის „მოგზაურობის“ წიგნიდან. თურქი ავტორის თანახმად, ამ ნავს „ლაზური მენექსილა“ ეწოდებოდა და მას ლაზი და მეგრელი მეზღვაურები იყენებდნენ. მოხსენებაში ჩამოთვლილია ის ნიშნები, რის მიხედვითაც „ლაზური მენექსილა“ „კამარად“ შეიძლება მივიჩნიოთ.

II. 2. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				

2				
3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	T. Dolidze, A. Kharanauli	The Bible in Georgian Christianity	EBR – Encyclopedia of the Bible and its Reception, v. 10	de Gruyter Publishers/ Berlin 2015	col. 83-89
2	T. Dolidze, Patristics – As Reflected in Georgian Spiritual and Intellectual History	B. Bitton-Askelony, Th. de Bruyn, C. Harrison, O. Velδsquez (eds.) "Patristic Studies in the Twenty-first Century: Proceedings of an International Conference to Mark the 50th Anniversary of the International Association of Patristic Studies"		Brepols/ Turnhout, 2015	p. 497-519
3	ანა ჩიქოვანი	Η μορφή της Μήδειας στη σύγχρονη Ελληνική και Γεωργιανή λογοτεχνία - Τυπολογικοί παραλληλισμοί), (მედეას სახე თანამედროვე ბერძნულსა დაქართულ ლიტერატურაში - ტიპოლოგიური პარალელები),	Proceedings of the 5th International Congress in Modern Greek Studies: Continuities, Discontinuities, Ruptures in the Greek World (1204-2014): Economy, Society, History, Literature Volume 4,	Athens, EENS	19

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. მრავალტომეული *Encyclopedia of the Bible and its Reception* თავს უყრის ყველა ქრისტიანი ერის ბიბლიურ ტრადიციას, რომელთა შორის, წინამდებარე საენციკლოპედიო სტატიით, წარმოდგენილია ქართული ბიბლიური ტრადიციაც. წერილი Georgian Christianity ორი ძირითადი ნაწილისგან შედგება – ბიბლია და ბიბლიური ეგზეგეტიკა. თავდაპირველად განხილულია ქართული ბიბლიის წყაროები, ტექსტის ისტორია, კანონიკური და არაკანონიკური წიგნები, თარგმანის ტექნიკა (ავტორი ა. ხარანაული), ხოლო შემდეგ ბიბლიურ განმარტებათა თარგმანები და ბიბლიური რეცეფციები ძველ ქართულ მწერლობაში (ავტორი თ. დოლიძე). ბიბლიური ეგზეგეტიკის ნაწილში თავდაპირველად მიმოხილულია ქართული ეგზეგეტიკის ქრონოლოგიური საზღვრები და ზოგადად დახასიათებულია ამ სამწერლობო დარგის განვითარება ძველი ქართული მწერლობის

სხვადასხვა ეტაპზე. შესავალ ნაწილს მოსდევს თემების განხილვა შემდეგი პარაგრაფების მიხედვით: (I) ეგზეგეტიკური შრომები ძველი და ახალი აღთქმის წიგნებზე, (II) ცალკეულ ადგილებისა და თემების განმარტებები, (III) კატენური განმარტებების შემცველი კრებულები და (IV) ბიბლიის რეცეფცია ორიგინალურ ქართულ მწერლობაში V-XX სს.

2. ამ სათაურით წარმოდგენილია ძველი ქართული სამონასტრო ცხოვრებისა და საეკლესიო მწერლობის მიმოხილვა, რომელიც პატრისტიკის სპეციალისტებსა და ზოგადად, დაინტერესებულ უცხოელ მკითხველს აცნობს ქართველთა მრავალსაუკუნოვან (IV საუკუნიდან XVIII საუკუნის ჩათვლით) ღვაწლს პატრისტიკული მემკვიდრეობის ათვისების საქმეში. ქართული მთარგმნელობითი მემკვიდრეობა განხილულია ლიტერატურული ჟანრების მიხედვით, ნაჩვენებია კულტურული ამოცანები, რომელთა წინაშეც იდგა ქართული საეკლესიო ლიტერატურა მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. წერილში ხაზგასმითაა აღნიშნული ქართული საეკლესიო და საისტორიო წყაროების განსაკუთრებული მნიშვნელობა ბიზანტიურ-ბერძნული და აღმოსავლეთქრიატიანული (სირიული, არაბული) მწერლობის კვლევისთვის.

3. კვლევის მიზანია თანამედროვე ბერძნულ ლიტერატურაში მედეას სახისა და მედეას შესახებ მითის ახლებური ინტერპრეტაციების კვლევა. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში ბევრი და სხვადასხვა საკითხის მიმართ შეიცვალა დამოკიდებულება, მათ შორის შეიცვალა დამოკიდებულება მედეას სახის მიმართ. მედეას შესახებ მითის მრავალმხრივი წაკითხვა საშუალებას იძლევა განხილულ იქნან ის ტენდენციები, რაც ლიტერატურულ ნაწარმოებებში გამოვლინდა, ისევე როგორც ამ მითის ახალი ბერძნული და ქართული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი საერთო თუ განსხვავებული ელემენტები.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	რისმაგ გორდეზიანი	ბერძნულ-ქართული ურთიერთობების ზოგიერთი სადისკუსიო ასპექტი	14.04.2015 თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
2	ნანა ტონია	ტრადიციულობის საფუძველი თანამედროვე მხატვრულ აზროვნებაში	23-25 სექტემბერი, თბილისი
3	ნანა ტონია	პოლიტიკა და ქალები ძველ საბერძნეთში	27 მარტი, თბილისი
4	ნანა ტონია	საპფოს ახალი ფრაგმენტები	11 ნოემბერი
5	რუსუდან ცანავა	The Function of Symbol and Sign in an Epic Text	2015 წლის 19 დეკემბერი. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების 170 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია
6	ეკატერინე კობახიძე	ალექსანდრე მაკედონელის ლიტერატურულ პერსონაჟად გარდასახვის პირველი შემთხვევა ქართულ ლიტერატურაში	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია-აკაკი წერეთელი და მისი ეპოქა 22-23.06.2015,Tbilisi

			International Scientific Conference- Akaki Tsereteli and his Epoch. 22-23.06.2015, Tbilisi
7	Ekaterine Kobakhidze	Akaki's Interpretation on Legend on Azon	მე-9 საერთაშორისო სიმპოზიუმი- ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა,23-25.09.2015, თბილისი 9- ტჰ Iნტერნატიონალ შყმპოსიუმ- თრადიტიონ ანდ ჩონტემპორარყ იტერატურე.23-25.09.2015, თბილისი
8	ქეთევან ნადარეიშვილი	ქორწინებასთან დაკავშირებული იურიდიული ნორმები კლასიკური ეპოქის ათენში	სამეცნიერო კონფერენცია: "ელენე არგოსელიდან მელინა მერკურიმდე"; ი. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტი, 2015წ. 27 მარტი
9	ქეთევან ნადარეიშვილი	აკაკი წერეთლის "მედეა" არგონავტიკის მითოსის ქართულ ინტერპრეტაციათა კონტექსტში	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია- აკაკი წერეთელი და მისი ეპოქა. თბილისი, ი. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტი, 2015 წლის ივნისი
10	ქეთევან ნადარეიშვილი	ავტორი ტრადიციის წინაშე: მედეას მითოსური ტრადიცია და აპოლონიოს როდოსელის "არგონავტიკა"	ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა; მე-9 საერთაშორისო სიმპოზიუმი, ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები; თბილისი, 2015, 23-25 სექტემბერი
11	ზაზა ხინთიბიძე	მედეა, ჰეკატე და არესის კულტი აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში"	27.03.2015 თბილისი, თსუ სამეცნიერო კონფერენცია ელენე არგოსელიდან მელინა მერკურიმდე
12	მაკა ქამუშაძე	არგონავტების მითი ა. წერეთლის შემოქმედებაში	აკაკი წერეთელი და მისი ეპოქა, საერთაშორისო კონფერენცია, თბილისი 22-23 ივნისი
13	ანა ჩიქოვანი	მედეას სახის ინტერპრეტაცია ვასილის ბუდურისის "სხვა მედეა" და ხარის ლამბიდისის "ვინ მოკლა მედეას შვილები" მიხედვით	27 მარტი 2015, თბილისი, თსუ
14	მანანა ფხაკაძე	აკაკის პოემა „მედიას" ავტორისეული კომენტარები	2015, 22-23 ივნისი, თბილისი; საერთ. სამეცნ. კონფ. "აკაკი წერეთელი და მისი ეპოქა"
15	მანანა ფხაკაძე	აკაკი წერეთლის „მედია"	2015, 23-25 სექტემბერი, თბილისი; მე-9 საერთაშორისო სიმპოზიუმი „ტრადიცია და თანამედროვე

			მწერლობა“
16	მანანა ფხაკაძე	მედეადან მარიამ დედოფლამდე	2015, 27 მარტი თბილისი; სამეცნიერო კონფერენცია „ელენე არგოსელიდან მელინა მერკურამდე“

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1. მოხსენებაში ყურადღება შეჩერდა ორ სადისკუსიო პრობლემაზე: ა) არგონავტების მარშრუტი უძველეს ბერძნულ წყაროებში (წარმოდგენილი იქნა არგუმენტები უმეტესად ლინგვისტური ხასიათისა, რომლებიც ამტკიცებენ, რომ არგონავტთა ლაშქრობა თავიდანვე აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, კერძოდ, ლეგენდარულ კოლხისში მოიაზრებოდა) და წინაბერძნულ-ქართველური მიმართებები უახლესი გამოკვლევების შუქზე (წარმოდგენილი იქნა ის არგუმენტები, რომლებიც წინაბერძნულ-ქართველურ ჰიპოთეზას, მას შემდეგ, რაც ბერძნული ენის ახალი ეტიმოლოგიური ლექსიკონი გამოვიდა, საკმაოდ რეალურ საფუძველს უქმნიან).

2. უკანასკნელი ხანების არქეოლოგიური აღმოჩენების შედეგად ანტიკური კულტურა საყოველთაო შესწავლისა და გაცნობიერების საგნად იქცა. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მხატვრული ენისა და წარმოსახვათა პოეტურობამ. ერთ-ერთი ასპექტი ამ პროცესისა იყო ანტიკური ტრაგედიისა და პოეზიის აღორძინებისადმი, ანტიკური სამყაროს მხატვრულ სახეთა ახლებური გაგებისადმი განსაკუთრებული ინტერესი. ეს ტენდენცია აღინიშნა არა მხოლოდ ანტიკური თემატიკის მოზღვავებით, არამედ მონუმენტურობის, სახეთა შინაარსობლიობის, მათი პოეტური ტევადობის მრავალმხრივი ძიებით. (მოხსენება წაკითხულ იქნა IX საერთაშორისო სიმპოზიუმზე: “ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები – ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა”).

3. მოხსნებაში განხილული იყო ქალთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხები ძველ საბერძნეთში და მათი მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში (მოხსენება წაკითხულ იქნა კულტურულ-საგანმანათლებლო ფესტივალზე – “ოქროს საწმისი”).

4. უკანასკნელ ხანებში არქეოლოგიური ძიების შედეგად აღმოჩნდა საპფოს სამი ახალი ფრაგმენტი, რომლეთა ინტერპრეტაცია და თარგმანი წარმოვადგინე მოხსენებაში (აკად. სიმონ ყაუხჩიშვილის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია).

5. მოხსენებაში განვიხილავ სიმბოლოსა და ნიშნის ურთიერთმიმართების საკითხს რამდენიმე მხატვრული ტექსტის ანალიზის საფუძველზე. ნიშან–ხატებსა და სიმბოლოს შორის განსხვავების ილუსტრირება შეიძლება ხატისა და ნახატის ანტითეზით. ძირითადი განსხვავება სიმბოლოსა და ნიშანს შორის არის ის, რომ ნიშანს აქვს პრაქტიკული, არაორაზროვანი მნიშვნელობა; სიმბოლოს კი აქვს უკუკავშირის გაცილებით მეტი შესაძლებლობა, ის ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო მნიშვნელობებს შეიცავს. მოხსენებაში განვიხილავ ე.წ. „არქეტიპულ სიმბოლოებს“. ისინი არსებობენ მოცემულ ტექსტამდე და მისგან დამოუკიდებლად. ეს სიმბოლოები მწერლის მეხსიერებაში ხვდება კულტურის მეხსიერების სიღრმიდან და ცოცხლდება ახალ ტექსტში. სიმბოლოსა და ნიშნის აღრევის ასაცილებლად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ტერმინების ლინგვისტურ და სემანტიკურ ანალიზს. ამ ორი ცნების გამიჯვნის პრაქტიკულ მაგალითებს წარმოვადგენ ჰომეროსისა და ჰესიოდეს ტექსტების შესაბამისი პასაჟების ანალიზის საფუძველზე. ამ ანალიზის შედეგად მიღებული თეორიული დასკვნები, ჩემი აზრით, საყურადღებოა, ზოგადად, ყველა ტიპის ეპიკური (პოეტური) ტექსტის ანალიზისათვის.

6. ალექსანდრე მაკედონელი მსოფლიო ლიტერატურაში ყველა დროის გამორჩეულად პოპულარული ფიგურაა. ამ თვალსაზრისით, ქართული მწერლობა გამონაკლისს არ წარმოადგენს. საქართველოში ანტიკურობის რეცეფციის ტენდენციების განსაკუთრებულად გაძლიერების პერიოდიდან (XI-XIIIსს.) ალექსანდრე მაკედონელის შესახებ ინფორმაცია არაერთ ქართულ ლიტერატურულ წყაროში ჩნდება. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ უკვე XI საუკუნეში ალექსანდრე დიდის ხსენება დასტურდება „ქართლის ცხოვრების“ რამდენიმე ავტორთან (ლეონტი მროველი, არსენ იყალთოელი, არსენ ბერი, ბასილი ეზოსმოძღვარი და

სხვ.) და ასევე მომდევნო საუკუნეების ქართველი მწერლების შემოქმედებაში (უცნობი ავტორის „რუსუდანიანი“, იონა ხელაშვილი, ტიმოთე გაბაშვილი, იაკობ გოგებაშვილი, აკაკი წერეთელი) მხოლოდ XIX საუკუნეში, აკაკი წერეთლის თხზულებაში „ვინ არის აზნაური“ ალექსანდრე მაკედონელი პირველად წარმოსდგა არა ციტირების, შედარების თუ ქების, არამედ მხატვრული განზოგადების ობიექტად- ლიტერატურულ პერსონაჟად. მოხსენებაში გამოვლენილი და შესწავლილია ალექსანდრე მაკედონელის შესახებ XI-XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში დადასტურებული მხატვრული პასაჟები, განხილულია ვარაუდები მათში მოცემული ინფორმაციის წარმომავლობისა და პირველწყაროთა ავტორისეული ინტერპრეტაციის შესახებ. კვლევის საფუძველზე მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით გაანალიზებულია აკაკის მოთხრობაში წარმოდგენილი სიუჟეტის მიმართება ქართულ მწერლობაში ალექსანდრე მაკედონელთან დაკავშირებით არსებულ ლიტერატურულ ტრადიციასთან; გამოვლენილია ის ინფორმაციული და მხატვრული ნოვაცია, რომლითაც აკაკი წერეთლის აღნიშნული თხზულება გამოირჩევა წინა პერიოდის ლიტერატურული ქმნილებებისაგან.

7. 1908 წლით დათარიღებულ მოთხრობაში „ვინ არის აზნაური (ლეგენდა)“ აკაკი წერეთელი წარმოადგენს ქართულ ლიტერატურაში საკმაოდ პოპულარული და ტრადიციული სიუჟეტის მეტად ორიგინალურ ინტერპრეტაციას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ თქმულება აზო/აზონზე ქართულ ლიტერატურაში XI საუკუნიდან არის ცნობილი. ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ მოგვითხრობს ისტორიას ალექსანდრე მაკედონელის მიერ ქართლში შემოჭრისა და მაკედონელი მოლაშქრეების ნაწილის აზონ მხედართმთავრის წინამძღოლობით საქართველოში დამკვიდრების შესახებ. საყურადღებოა, XII საუკუნის უცნობი ავტორის თხზულება „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოჲსი“ და არსებნ ბერის XIII საუკუნის ნაწარმოები „ცხორებაი და მოქალაქეობაი და ღუაწლი წმიდისა და ღირსისა დედისა ჩუენისა ნინოისი, რომელმან ქადაგა ქრისტე, ღმერთი ჩუენი, ქუეყანასა ჩრდილოისასა და განანათლა ნათესავი ქართველთაი“ ლეონტი მროველის მიერ გადმოცემულ ამ ამბავს განსხვავებულად წარმოაჩენს. ნიშანდობლივია, რომ ამავე სიუჟეტის საინტერესო ვერსია მოცემულია ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლაშიც“. მოხსენება ეძღვნება აზო/ აზონის შესახებ ქართულ ლიტერატურაში არსებული სიუჟეტის ვარიანტების განხილვას, საკითხზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზს და იმის დადგენას, თუ ნარატივის რომელი ვერსია არის აკაკი წერეთლის მოთხრობაში გადმოცემულ ამბავთან ყველაზე მეტად ახლომდგომი. აკაკის ვერსიის მნიშვნელობის შესაფასებლად მოხსენებაში წარმოდგენილია შემდგომი პერიოდის მწერლობაში სიუჟეტის გადამუშავების კონკრეტული შემთხვევებიც. შედეგად, აკაკი წერეთლის მოცემული თხზულების მაგალითზე წარმოდგენილია ტრადიციის და ნოვაციის ურთიერთმიმართებისა და ანტიკურობის რეცეფციის სურათი აკაკის შემოქმედებაში.

8. მოხსენება მიზნად ისახავს წარმოადგინოს ის იურიდიული ინსტიტუციები, ნორმები და ტერმინები, რომლებიც კლასიკური ეპოქის ათენში ქორწინებასთან დაკავშირებით გვხვდება.განხილულია ნიშნობის, საკუთრივ ქორწინების, მზითვის, ეპიკლეროსის და ა.შ. ინტიტუტები, შესწავლილია ტერმინთა წრე, რომლების მათ აღსანიშნად გამოიყენებოდა, შეძლებისდაგვარად განსაზღვრულია ამ ტერმინთა დამკვიდრების თარიღები. მოხსენებაში საგანგებო ყურადღება ეთმობა ქალის უფლებების, უფრო სწორედ კი მის უუფლებობის წარმოდგენას მისთვის ამ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუციაში, კერძოდ, განხილულია შემდეგი საკითხები: ჰქონდა თუ არა უფლება ქალს საქმრო თავად აერჩია; ქორწინდებოდნენ თუ არა ათენში სიყვარულით; რამდენად შეეძლო ქალს საკუთარი მზითვის განკარგვა; რამდენად ხშირად იყო ქალი განქორწინების ინიციატორი და ა.შ.
მოხსენებაში წარმოდგენილ დასკვნებს შეუძლიათ შეიტანონ გარკვეული წვლილი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გააზრებაში, როგორებიცაა: ქალის ფუნქცია ანტიკური სამყაროს სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტში; ქალის როლი საოჯახო და პროვატული სივრცეების დაპირისპირების ჭრილში; ქალის მიმართ დამოკიდებულების ძირითადი ტენდენციების საწყისები და ა.შ.

9. ძველი ქართული მწერლობისთვის არგონავტიკის მითოსი ცნობილი იყო, თუმცა მისი

მხატვრული დამუშავება XVIII-XIX ს.ს.-ში იწყება. ერთი მხრივ, იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“, ხოლო მეორე მხრივ, თეიმურაზ ბატონიშვილის „ივერიის ისტორიაში“ წარმოდგენილი არგონავტების მითის ინტერპრეტაციები, ფაქტობრივად, სათავეს უდებს არგონავტიკის ციკლის და მისი ერთ-ერთი მთავარი ფიგურის - მედეას მითოსის რეციპირების ორ ტენდენციას ქართულ კულტურაში. ერთი მათგანი, კერძოდ, „კალმასობა“ ძირითადად მიჰყვება აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკას“, მედეას მითოსის ყველაზე დრამატულ ეპიზოდს - ბავშვების მკვლელობას - კი ევრიპიდეს ცნობილი ვერსიის მიხედვით გადმოგვცემს; მეორე - თეიმურაზისეული ვერსია - სათავეს უდებს მედეას სახის რეაბილიტაციის ტენდენციას, რომლის თანახმადაც მედეა არც ძმის, არც შვილების მკვლელად არ გვევლინება. მოხსენების მიზანია განიხილოს აკაკი წერეთლის პოემა „მედია“ ქართული კულტურის მიერ არგონავტიკის მითის რეცეფციის კონტექსტში. კერძოდ, შეისწავლოს, როგორ ახდენს პოეტი მედეას სახის რეაბილიტაციას, რამდენად ცვლის იგი ბერძნულ წყაროებს მითოსის კოლხური ეპიზოდის ფარგლებში; როგორ შეიძლება შეფასდეს მხატვრული თვალსაზრისით აკაკისეული მედეას სახე და რა მიზანს ისახავდა პოეტი არგონავტიკის მითის დამუშავებისას. კვლევამ აჩვენა, რომ აკაკი წერეთელი არა მარტო აგრძელებს ამ მითოსის ინტერპრეტირების თეიმურაზ ბატონიშვილისეულ ხაზს, არამედ მედეას რეაბილიტირების თვალსაზრისით ყველაზე მაღალ ნიშნულს აღწევს. მიუხედავად იმისა, რომ აკაკისეული მედეას სახე არ იყო წარმატებული მხატვრული თვალსაზრისით და მან ვერ მოიპოვა პოპულარობა, როგორც მხატვრულმა სახემ, ამ მითოსის წერეთლისეული ინტერპრეტაციის ხაზი სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა ქართული კულტურისთვის. ლ. სანიკიძის „ამბავი კოლხი ასულისა“ და დრამა „მედეა“ (არაერთგზის დადგმული ქართულ სცენაზე), ბ. კვერნაძისა და ა. მაჭავარიანის ოპერები, გოჩა კაპანაძის დრამა „მედეა“ სწორედ ინტერპრეტაციის დასახელებული ხაზის გაგრძელებას წარმოადგენენ. ამ ინტერპრეტაციებისათვის დამახასიათებელია ორი უმთავრესი რამ: წარმოადგინოს არგონავტიკის მითოსი საქართველოს ეთნიკური და ისტორიული პრობლემების კონტექსტში, გაიაზროს ეს მითოსი როგორც ქართული კულტურის დასავლურ ცივილიზაციასთან ურთიერთობის სიმბოლო და ამასთან, მოახდინოს მედეას მითოსური ფიგურის რეაბილიტირება.

10. ავტორი და ტრადიცია: მედეას მითოლოგიური ტრადიცია და აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ განხილულია აპოლონიოს როდოსელისა და ელინური ეპოქის მითოლოგიურ ტრადიციებში მედეას სახის ასახვის პრობლემები. წარმოდგენილია ის პრინციპები, ორმელთა საფუძველზეც აპოლონიოს როდოსელმა მოახდინა მითოსური სახის მხატვრულ სახედ ტრანსფორმაცია.

11. მოხსენებაში გაანალიზებული, მხარდაჭერილი და ახალი არგუმენტებითაა განმტკიცებული აკადემიკოს თინათინ ყაუხჩიშვილის თვალსაზრისი თავდაპირველად ნაყოფიერების, ხოლო შემდგომ კი უკვე ომის ღმერთის - არესის რელიგიური კულტის ადრებრინჯაოს ხანის კოლხეთში სავარაუდო არსებობისა და აქედან მიკენური ხანის საბერძნეთში მისი გადატანის თაობაზე, რისთვისაც ახლებურადაა ინტერპრეტირებული რამდენიმე ანტიკური ავტორის ნაშრომების, უპირველეს ყოვლისა კი, აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ მეშვეობით მოღწეული არგონავტების ლაშქრობის შესახებ მითის შემადგენელი ცალკეული საკვანძო ნაწილები.

12. ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული დღემდე ბერძენი იასონისა და კოლხი მედეას ამბავი არაერთი ქართველი თუ უცხოელი შემოქმედის შთაგონების წყაროდ იქცა. ამ თემაზე მხატვრული კულტურის სხვადასხვა სფეროში ასეულობით ნაწარმოებია შექმნილი. როგორც ცნობილია, ავტორები ძირითადად აპოლონიოს როდოსელის "არგონავტიკის" ან ევრიპიდეს "მედეას" ზეგავლენას განიცდიან. ვერც ქართველმა ხელოვანებმა აუარეს გვერდი არგონავტების მითს და არაერთი ნაწარმოები მიუძღვნეს ამ თემას. პირველი, ვინც ქართულ ლიტერატურაში დაინტერესდა ამ მითით გახლდათ აკაკი წერეთელი. სწორედ მან შექმნა ხუთმოქმედებიანი დრამა "მედია". მოქმედება ქართულ დრამაში კოლხეთში ვითარდება და აღწერს მედიასა და იაზონის შეხვედრის და გამიჯნურების ამბავს. როგორც ცნობილია, აკაკი წერეთელს ტრილოგიის შექმნა ჰქონია განზრახული: "მედია კოლხიდაში", "მედია ელადაში" და "მედია სამშობლოში დაბრუნებული", მაგრამ მან მხოლოდ პირველი ნაწილი

დაასრულა. საინტერესოა, რომ აკაკი წერეთელმა მოგვცა არგონავტების მითის ახალი, განსხვავებული ინტერპრეტაცია. ერთი მხრივ, იგი მიჰყვება მითის მთავარ ხაზს, მაგრამ, მეორე მხრივ, ბევრი ახალი ელემენტი შემოაქვს როგორც სიუჟეტის თვალსაზრისით, ასევე პერსონაჟებთან დაკავშირებითაც: 1) რამდენად სცილდება ავტორი მითს არგონავტების შესახებ და რა სიახლეები შემოაქვს ა. წერეთელს სიუჟეტში? 2) არიან თუ არა პიესის პერსონაჟები, რომელთა სახელები ორი მთავარი გმირის იაზონის და მედიას (აქაც მცირედი ცვლილებაა) გარდა სრულიად განსხვავებული სახითაა წარმოდგენილი, მითში არსებული პერსონაჟების მსგავსი და რა მიზანს ემსახურება დრამაში ახალი პერსონაჟების გაჩენა? 3) განიცდის თუ არა ა. წერეთელი რომელიმე ავტორის ზეგავლენას?

13. კვლევის მიზანია, აჩვენოს, როგორ გამოიხატა ლიტერატურაში იმ კულტურული ცვლილებების ელემენტები ბერძნულ საზოგადოებაში რომ მიმდინარეობდა და როგორი ასახვა ჰპოვა ამ ცვლილებებმა ბერძენ მწერალთა - ვასილის ბუდურისისა და ხარის ლამბიდისის შემოქმედებაში. მიუხედავად იმისა რომ, იმ ლიტერატურულ ნაწარმოებთა უმეტესობა არგონავტების მითსა და მედეას სახეს რომ მიეძღვნა, მითის ევრიპიდესეულ სიუჟეტს მიჰყვება, მე-20 საუკუნის მეორე ნახევარსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში დაიწერა ახალი ნაწარმოებები, სადაც მწერლები მითების კოლხი გმირის სახის ახლებულ გააზრებას გვთავაზობენ.

14. დრამა „მედიას“ კომენტარები დიდ პოეტს წარმოაჩენს როგორც დაკვირვებულ და ერუდირებულ მკვლევარს, რომელიც თავის პოეტურ ფანტაზიას, როგორც სხვა პოემებში (მაგ. „თორნიკე ერისთავი“) ისტორიულ და მეცნიერულ ფაქტებთან აჯერებს.

15. არგონავტების თქმულების პირველი ლიტერატურული დამუშავება ქართულ ლიტერატურაში XIX ს-ის კლასიკოსს აკაკი წერეთელს ეკუთვნის. მიუხედავად არგონავტების ტრადიციული თქმულებისაგან ბევრი განსხვავებისა აკაკიმ მედეას ევრიპიდესეული პარადიგმატული სახის ღრმა გაგება შემოგვთავაზა, რასაც ყველა ადამიანში ემოციისა და რაციოს ჭიდილი და ემოციის რაციოზე დამანგრეველი ძალა გამოხატავს.

16. ქართველი ქალები და მათი საქმიანობა უცხოურ წყაროებში (პალეფატოს I, კლიმენტი ალექსანდრიელი, დიოდორე სიცილიელი, პინდაროსი, აპოლონიოს როდოსელი, დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, ჟან შარდენი, დონ კრისტოფორო კასტელი, დონ არქანჯელო ლამბერტი, ავიტაბილე დონ პიეტრო) დაცული იმ საინტერესო ცნობების მიხედვით, რომელთა დიდი ნაწილი ეძღვნება ჯერ კოლხეთის, ხოლო შემდეგ სამეგრელოსა და ოდიშის სახელწოდებით ცნობილი ქართული პროვინციის მანდილოსნებს.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	რისმაგ გორდეზიანი	კლასიკური ტრადიცია ქართულ კულტურაში (გერმანულ ენაზე)	27.10.2015 ბერლინი, ვინკელმანის საზოგადოება
2	რისმაგ გორდეზიანი	არგონავტების ექსპედიცია აიეტის ქვეყანაში თანამედროვე გამოკვლევევათა შუქზე (გერმანულ ენაზე)	29.10.2015 იენა, ფ. შილერის უნივერსიტეტი
3	რისმაგ გორდეზიანი	კლასიკური ტრადიცია ქართულ სახვით ხელოვნებაში (გერმანულ ენაზე)	02.11.2015 ლაიპციგი, საქსონიის მეცნიერებათა აკადემია
4	Ketevan Nadareishvili	Ancient Europe and Its Other: Ancient Representation of the Kartvelian People	Annual Meeting of the American Comparative Literature Association; The University of

			Washington. March 26-29, 2015
5	თინა დოლიძე	პლენარული ლექცია (50 წუთი) From Origen's Hermeneutics to Gregory of Nyssa's Theory of Language	17th International Conference on Patristic Studies, Oxford, 10-14 August 2015

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1. მოხსენებაში წარმოდგენილი არის ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში კლასიკური ტრადიციის ათვისების ძირითადი ეტაპები შუასაუკუნეებიდან მოყოლებული თანამედროვეობამდე. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ანტიკურობის რეცეფციის ფორმებზე რუსთაველის პოემასა, გალაკტიონთან და თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში.

2. მოხსენებაში კრიტიკულად იყო განხილული ის არგუმენტები, რომელთა თანახმადაც, ადრეული ბერძნული ტრადიცია და ჰომეროსი არგონავტთა ლაშქრობის მიზანს არა კოლხეთში, არამედ ხმელთაშუაზღვისპირეთის სხვა რეგიონებში (ეთიოპია, ხეთების იმპერია, ყირიმი) აქცევდნენ. მათ საპირისპიროდ წარმოდგენილი იყო ლიტერატურათმცოდნეობითი, არქეოლოგიური და ლინგვისტური ხასიათის არგუმენტები, რომლებიც უკვე ჰომეროსთან ლაშქრობის მიზნად აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს მიგვანიშნებენ.

3. მოხსენებაში განხილული იყო თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების ის ნიმუშები, რომლებიც კლასიკური ტრადიციის ყველაზე თვალსაჩინო განხორციელებას გვთავაზობენ ფერწერას, პლასტიკასა და არქიტექტურაში.

4. მოხსენებაში განხილულია ის, თუ როგორი იყო ევროპისა და ევროპული მენტალიტეტის აღქმა ანტიკურ წყაროებში და რა ადგილი ეჭირა ძველების გეოგრაფიულ თუ მენტალურ ინტერპრეტაციებში ქართველურ ტომებს.

5. პლენარული ლექცია ჩატარდა პატრისტიკის საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში, რომელიც ოქსფორდის უნივერსიტეტში ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება. კონფერენციის დირექტორთა საბჭო წინასწარი კენჭისყრის შედეგად კონფერენციის მონაწილეთა შორის (დაახლოებით 1000 მონაწილე) ირჩევს 16 მეცნიერს საჯარო ლექციის წასაკითხავად. ლექციაში უნდა აისახოს პატრისტიკის დარგში ამა თუ იმ მეცნიერის კვლევითი შედეგები და მის მიერ წამოყენებული ესა თუ ის ორიგინალური კონცეფცია. ხსენებულ მოთხოვნათა შესაბამისად, ოქსფორდის უნივერსიტეტში, 2015 წლის 12 აგვისტოს ჩემს მიერ წაკითხული ლექცია "ორიგენეს ჰერმენევტიკიდან გრიგოლ ნოსელის ენის თეორიამდე" წარმოადგენდა ბიბლიურ ჰერმენევტიკასა და ენის ფილოსოფიაში წლების განმავლობაში წარმოებული მუშაობის შედეგს. ლექციაში ყურადღება დაეთმო რამდენიმე ძირითად თემას, რომლებშიც მკაფიოდ აისახა ადრეული პატრისტიკის ორი მსხვილი წარმომადგენლის, ორიგენესა და ნოსელის, კონცეფციები ენობრივი არტიკულაციისა და საკუთრივ, ბიბლიური და თეოლოგიური ენის ბუნების, ფუნქციისა და პერსპექტივების შესახებ. თემათა ანალიზი მიზნად ისახავდა გამოეკვლია, თუ რა ძირითადი კონცეპტები იკვეთება ენის ანალიზის კუთხით ორიგენეს ბიბლიურ ჰერმენევტიკაში, როგორია მათი რეცეფცია გრიგოლ ნოსელის ენის თეორიაში და რა სახეცვლილებას განიცდიან ისინი ახალ (ნოსელისეულ) სააზროვნო სისტემაში. კონცეფციის ევოლუციის პროცესი მოხსენებაში წარმოდგენილი იყო როგორც სვლა ენობრივი სკეპტიციზმისა და სიტყვის საკრალურობის წინაათმდეგობრივი მოდელიდან, რომელიც ორიგენეს ჰერმენევტიკაში გვხვდება, ენის ნოსელისეულ კონცეფციამდე, რომელშიც მიღწეულია ენის შესახებ ორი ურთიერთდაპირისპირებული თვალსაზრისის მორიგება.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი

	დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით			გრანტი, უცხოური გრანტი)
1	კავკასია ახალბერძნულ ლიტერატურაში, ფილოლოგია, ახალი ბერძნული ფილოლოგია	ანა ჩიქოვანი		უცხოური გრანტი - ერაზმუს მუნდუს - ჰერმესი
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				
კვლევის ფარგლებში მოძიებული და შესწავლილი იქნა თანამედროვე ბერძნული ლიტერატურის XX-XXI საუკუნის შერჩეულ ძეგლებში კავკასიისა და კავკასიური კულტურული იდენტობის საკითხი.				

IV. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1				
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების ს/ს ინსტიტუტი

სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

2015 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში

თბილისი

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება - **თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების ს/ს ინსტიტუტი**

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი - **ნანა გაფრინდაშვილი**

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა

ნანა გაფრინდაშვილი - პროფესორი

ნინო წერეთელი – ასოცირებული პროფესორი;

ეკატერინე ნავროზაშვილი – ასოცირებული პროფესორი.

I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის
დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
(ეხება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

I. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახე-ლება მეცნიერების	დამფინანსებელი	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

	დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	ორგანიზაცია		
1				
დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

I. 4.

2	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით **იმაგოლოგია: კულტურათა დიალოგის თავისებურებანი (პოსტკოლონიური ქართული ლიტერატურის მაგალითზე) ჰუმანიტარული მეცნიერებები; ლიტერატურათმცოდნეობა; შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა**	დამფინანსებელი ორგანიზაცია რუსთაველის ფონდი	პროექტის ხელმძღვანელი ნანა გაფრინდაშვილი	პროექტის შემსრულებლები ნანა გაფრინდაშვილი; ნინო წერეთელი, მარიამ მირესაშვილი
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

იმაგოლოგია: კულტურათა დიალოგის თავისებურებანი (პოსტკოლონიური ქართული ლიტერატურის მაგალითზე)

კვლევა წარმოადგენს ფუნდამენტურ ნაშრომს, რომელში მოცემული ახალი ხედვა გავლენას მოახდენს დარგის შემდგომ განვითარებაზე. თანამედროვე ქართული და უცხოური ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე მიღწევებზე დაყრდნობით შექმნილ გამოკვლევაში მოცემულია ახალი ცოდნა ქართული ლიტერატურის ისტორიის მეტად საინტერესო და მრავალფეროვანი პერიოდის (1991-2013 წლები) შესახებ; ქართული ლიტერატურის მაგალითზე შესწავლილია ეთნოიმაგოლოგიური მოდელების ჩამოყალიბება;

. ფუნდამენტურ გამოკვლევაში წარმოდგენილია პოსტკოლონიური ქართული ლიტერატურის ისტორიის იმაგოლოგიური დისკურსი; გაანალიზებულია ქართული სინამდვილის ისტორიული და ესთეტიკური წინაპირობები, რომლებმაც განსაზღვრეს ქართული პოსტკოლონიური ლიტერატურისთვის დამახასიათებელი თავისებურებების წარმოშობა;

მონოგრაფიაში წარმოდგენილია ნაციონალური სტერეოტიპების პრობლემაც,

რაც დაკავშირებულია ნაციონალური იდენტობის საკითხთან. სტერეოტიპები წარმოდგენილია, როგორც ინდივიდის ერთგვარი მაორიენტირებელი და მოტივაციათა განმსაზღვრელი წყარო.

როგორც თეორიულ პლანში, ასევე ბოლო პერიოდის ქართული ლიტერატურის მაგალითზე გამოკვლეულია მხატვრულ ლიტერატურაში მოცემული სტერეოტიპების სამი ძირითადი შემადგენელი ასპექტი: შემეცნებითი, პრაგმატული და ემოციური.

აღნიშნული გამოკვლევა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ისტორიის სრულყოფილად წარმოჩენაში.

კვლევის შედეგად მიღებული მონოგრაფია საინტერესო იქნება როგორც ვიწრო პროფილის სპეციალისტებისთვის, ასევე მომიჯნავე სამეცნიერო დარგების წარმომადგენლებისთვისაც (ისტორიკოსებისათვის, კულტუროლოგებისათვის, ეთნოლოგებისათვის და სხვ.);

კვლევის შედეგები მნიშვნელოვანი იქნება არა მხოლოდ წმინდა ლიტერატურულ-ესთეტიკური, არამედ პოლიტიკურ-საზოგადოებრივი თვალსაზრისით.

გამოკვლევაში ლიტერატურის პრობლემები გაშუქებულია პოლიტიკურ, იდეოლოგიურ, კულტუროლოგიურ ჭრილში, რადგან ე. წ. გარე ფაქტორებს გარკვეული ცვლილებები შეაქვს ნებისმიერი ლიტერატურის ევოლუციაში.

საქართველოს განვითარების დღევანდელ ეტაპზე არსებობს საზოგადოების დაკვეთა ამ ტიპის გამოკვლევებზე. აღნიშნულ გამოკვლევას წმინდა სამეცნიერო ღირებულებასთან ერთად სასწავლო-საგანმანათლებლო დანიშნულებაც გააჩნია.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვანი იქნება საუნივერსიტეტო კურიკულემების განვითარებისათვის. მონოგრაფიის შედეგები შეიძლება გათვალისწინებული იყოს ახალი საუნივერსიტეტო სასწავლო კურსის შექმნისას, რის შედეგადაც სტუდენტი მიიღებს საფუძვლიან თეორიულ ცოდნას ლიტერატურათმცოდნეობითი იმაგოლოგიის, როგორც თანამედროვე ფილოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი წამყვანი დარგის, შესახებ. მონოგრაფია დაეხმარება მას, გამოიმუშაოს სწორი მეთოდოლოგიური მიდგომა და წარმატებით მოემზადოს როგორც თეორიული საკითხების, ასევე შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის იმაგოლოგიური პრაქტიკული ასპექტების კვლევისათვის. სტუდენტები მიიღებენ თანამედროვე ცოდნას კომპარატივისტული თემატოლოგიის, პოსტკოლონიური კვლევების კულტუროლოგიური პრობლემატიკის, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ინტერდისციპლინური კონტექსტის, ინტერტექსტუალობის კონცეფციის, მათი კვლევის ძირითადი მეთოდების შესახებ.

მონოგრაფია შესაძლებლობას მისცემს დაინტერესებულ მკითხველს, სწორად გაიაზროს პოსტკოლონიური ქართული ლიტერატურის განვითარების, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებთან მისი კავშირისა და ურთიერთზემოქმედების პრობლემები.

პროექტის წარმატებით განხორციელება მნიშვნელოვანია როგორც დარგის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით, ასევე მკვლევრების წინ გადაშლილი ახალი პერსპექტივის თვალსაზრისითაც, რადგან სამომავლოდ ავტორები გეგმავენ მის გაგრძელებას და ახალი ნაშრომის შექმნას, რომელშიც შესწავლილი იქნება საქართველოსა და ქართველების კულტურული იკონოგრაფია უცხოურ ლიტერატურებში.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ-ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნანა გაფრინდაშვილი	ქართული ლიტერატურის ორიენტაციის საკითხი ქართველ რომანტიკოსთა მხატვრული თარგმანის მიხედვით. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო	XV	თსუ-ს გამომცემლობა, 2015	35-44

		უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, უკრაინისტიკის ინსტიტუტი, ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ნაციონალური უნივერსიტეტის ფილოლოგიის ინსტიტუტი, ლიტერატურის თეორიის, კომპარატივისტიკისა და ლიტერატურული შემოქმედების კათედრა. სამეცნიერო შრომები			
2	ეკატერინე ნავროზაშვილი	აბრაამ ეფროსი – ებრაული ლიტერატურის მთარგმნელი და პოპულარიზატორი, გივი გაჩეჩილაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომათა კრებული		გადაცემულია დასაბეჭდად	12 გვ.
3					

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. **ქართული ლიტერატურის ორიენტაციის საკითხი ქართველ რომანტიკოსთა მხატვრული თარგმანის მიხედვით.**
სტატიაში მხატვრული თარგმანი განხილულია მწერალთა, კერძოდ, რომანტიკოსთა ლიტერატურული ორიენტაციის წარმოჩენის თვალსაზრისით, რადგან ლიტერატურული ურთიერთობები და ურთიერთმიმართებები, კომკრეტულად კი მხატვრული თარგმანი, დედნის შერჩევის პრინციპები და სხვ. შეესაბამება კონკრეტული საზოგადოების მხატვრულ, პოლიტიკურ-იდეოლოგიურ, ზნეობრივ, რელიგიურ თუ მეცნიერულ შეხედულებათა მთელ სისტემას. ქართველ რომანტიკოსთა თარგმანები ეპოქის მაჯისცემას ეხმაურებოდა და ერის ინტერესების სამსახურში იყო და ევროპეისტულ სულისკვეთებას ამკვიდრებდა.

2. **აბრაამ ეფროსი – ებრაული ლიტერატურის მთარგმნელი და პოპულარიზატორი**
1909 წელს ხელოვნებათმცოდნემ, კრიტიკოსმა და მთარგმნელმა აბრაამ ეფროსმა გამოსცა წიგნი „Песнь песней Соломона“, რომელმაც დიდი გამოხმაურება პოვა არა მარტო რუსეთში,

არამედ საქართველოშიც. კერძოდ, იმავე წელს ჩვენთან მსგავსი კრებული დაბეჭდა კიტა აბაშიძემ და თავის წინასიტყვაობაში მიუთითა აბრაამ ეფროსის წიგნის მნიშვნელობასა და მთარგმნელის ღვაწლზე.

აბრაამ ეფროსის წიგნს საეტაპო ღირებულება ჰქონდა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა უშუალოდ ძველი ებრაულიდან რუსულ ენაზე ითარგმნებოდა „ქებათა ქების“ ტექსტი.

უნდა აღინიშნოს, რომ წიგნი დღესაც მრავალმხრივაა საინტერესო. მას ერთვის ვ. როზანოვის წინასიტყვაობა, თავად მთარგმნელის წერილი თარგმნისას გამოყენებული მეთოდიკის შესახებ, „ქებათა ქების“ რუსულენოვანი თარგმანი, წიგნის კომენტატორთა და მკვლევართა კრიტიკული წერილები, დაბოლოს, ეფროსის მიერ შეკრებილი რუსული პოეზიის ის ნიმუშები, რომლებიც უშუალოდ „ქებათა ქების“ გავლენითა და მიბაძვით იყო შექმნილი (მაგ.: დერჟავინის „სოლომონი და სულამითი“, პუშკინის „სოლომონის ქებათა ქების მიბაძვა“, ფეტის „მიბაძვა აღმოსავლეთიდან“, მეის „ებრაული სიმღერები“, ფრუგის „ქებათა ქება“, ბუტურლინის „სულამითი“ და ა.შ.). როგორც ჩანს, ეფროსის ნაშრომს დიდი დაინტერესება გამოუწვევია იმდროინდელ მკითხველ საზოგადოებაში და 1910 წელს მას კვლავ დაუბეჭდავს გამომცემლობა „პანთეონში“ ჩასწორებული და შევსებული წიგნი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეფროსის თარგმანს დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. „ქებათა ქების“ ებრაულ-რუსული ტექსტების შედარებამ გვიჩვენა, რომ ეფროსს თარგმანში შეუნარჩუნებია ნაწარმოების როგორც ფორმა, ასევე - შინაარსი. „ქებათა ქება“ „თანახში“ პოეტურ ნაწარმოებთა რიცხვს განეკუთვნება. შესაბამისად, ეფროსის თარგმანი ლექსად არის შესრულებული.

სტატიაში განხილული და შესწავლილი გვაქვს ონომასტიკური ლექსიკის, ფლორისა და ფაუნის, სტილისტიკური ფიგურების: გამეორება, მეტაფორა, შედარება, სინონიმია, პარანომაზია, ებრაულისთვის დამახასიათებელი რთული სინტაქსური კონსტრუქციების თარგმანში გადმოცემის მეთოდიკა და გზები.

II. 2. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Нана Гаприндашвили	Некоторые особенности перевода повести В. Быкова „Сотников“ на грузинский язык. Язык и межкультурные коммуникации. Материалы V международной научной конференции.Минск-Вильнюс, 19-23 мая 2015 г.		Министерство образования Республики Беларусь. Белорусский государственный педагогический университет имени Максима Танка. Литовский эдукологический университет. Минск. 2015	4
2	Нана Гаприндашвили	Стереотипное мышление переводчика и проблемы художественного перевода (на материале перевода поэмы Шота Руставели “Витязь в тигровой шкуре” на белорусский язык. Kalba ir kontekstai.	V (2)	Lietuvos Edukologijos Universitetas, Filologijos Fakultetas/ Kalba ir Kontekstai. Mokslo darbai 2013 m. V tomas (2 dalis) 2013 Vilnius	87-94
3	Нана Гаприндашвили	Основные историко-филологические аспекты эпистолярного наследия грузинского романтика Н.	Mokslo Darbai 7 2014-2015	Lietovos Lyginamosios Literaturos Asociacija. Lietuvos Edukologijos	274-286

		Бараташвили. Acta litteraria comparative. The Letter in Literature and Culture.		Universitetas Vilnius	
4	Басилая Н. Гаприндашвили Н.	Отпечаток Пушкинского воздействия в грузинской литературе. Пушкин и мировая литература. Материалы V Международной научной конференции г. Минск, 7-8 октября 2014 г.		Министерство образования Республики Беларусь. Белорусский государственный педагогический университет имени Максима Танка. Факультет белорусской и русской филологии. Минск, 2014	120-125
5	ნინო წერეთელი	20-იანი წლების ქართული ლიტერატურის ისტორიიდან(1921-1931 წლები) თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის უკრაინისტიკის ინსტიტუტის და ტ.შევჩენკოს სახელობის კიევის ნაციონალური უნივერსიტეტის ფილოლოგიის ინსტიტუტის შრომები	XV	თბილისი,თსუ გამომცემლობა	7
6	ნინო წერეთელი	Paris and Parisians in the Modern Georgian Literature – Imagological Researches" " 4th International Conference on Language, Literature, and Culture - B/Orders Unbound: Transgressing the Limit in Arts and Humanities, May 7-8, 2015 Proceedings	IV	, Department of English Language and Literature Sۆleyman Demirel University, Isparta-Turkey	5

7	ნანა გაფინდაშვილი ნინო წერეთელი	**XXIII Междун Международной научной конференции «ЯЗЫК И КУЛЬТУРА» им. проф. Сергея Бураго ЭТАПЫ РАЗВИТИ ГРУЗИНСКОЙ СОВЕТСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ В КОНТЕКСТЕ РУССКО-СОВЕТСКОЙ КУЛЬТУРНО-ИДЕОЛОГИЧЕСКО ПОЛИТИКИ**	17	ტარას შევჩენკოს სახელობისკიევის ნაციონალური უნივერსიტეტი დიმიტრი ბურაგოს საგამომცემლო სახლი 17-2014-1(169)-7(175)doc-Burago-14pdf 2015	6

ანოტაციები ქართულ ენაზე

ნანა გაფრინდაშვილი

1. **ვასილი ბიკოვის „სოტნიკოვის“ ქართული თარგმანის ზოგიერთი თავისებურების შესახებ.**

სტატიაში ორიგინალისა და თარგმანის შეპირისპირების გზით შესწავლილია ცნობილი ბელორუსი პროზაიკოსის, ვასილ ბიკოვის, გახმაურებული ფსიქოლოგიური მოთხრობის „სოტნიკოვის“ ქართული თარგმანი, რომელიც შესრულებულია ანდრეი ვიაზნიკოვისა და ზურაბ კიკნაძის მიერ.

2. **მთარგმნელის სტერეოტიპული აზროვნება და მხატვრული თარგმანის პრობლემა (ვეფხისტყაოსნის ბელორუსული თარგმანის მაგალითზე).**

სტატიაში დასმულია ორიგინალის არასწორი ინტერპრეტაციის საკითხი, რომელიც გამოწვეულია მთარგმნელის სტერეოტიპული აზროვნებით. მაგალითები აღებულია ვეფხისტყაოსნის ა. ზვონაკისა და მ. ხვედოროვიჩისეული ბელორუსული თარგმანიდან, რომელშიც მთარგმნელთა სტერეოტიპული აზროვნების შედეგად დეფორმირებულია ავთანდილის ხასიათი.

3. **ქართველი რომანტიკოსის ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობის ძირითადი ისტორიულ-ფილოლოგიური ასპექტები.**

სტატიაში განხილულია ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობა და პოეტის წერილების მიხედვით მიმოხილულია ბარათაშვილის თანამედროვე თბილისის კულტურულ-საზოგადოებრივი ცხოვრება და დახასიათებულია ნიკოლოზ ბარათაშვილი, როგორც მწერალი და როგორც პიროვნება.

4. **პუშკინის გავლენის ანარეკლი ქართულ ლიტერატურაში.**

სტატიაში შესწავლილია პუშკინის შემომედების აღქმის საკითხები ქართულ ლიტერატურაში. მათ შორის მისი ნაწარმოებების ის თარგმანები, რომლების ჯერ კიდევ

პოეტის სიცოცხლეში შესრულდა ქართველი მთარგმნელების მიერ. წარმოჩენილია ა. ჭავჭავაძის ღვაწლი პუშკინის ქართულ ენაზე თარგმნის ტრადიციის დამკვიდრების თვალსაზრისით.

ნინო წერეთელი

5. 20-იანი წლების ქართული ლიტერატურის ისტორიიდან(1921-1931 წლები)

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში იძულებით საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ანექსირებულ საქართველოში გაჩნდა საბჭოთა საზოგადოება, რომელმაც სპეციფიკურ პირობებში დაიწყო არსებობა. ლიტერატურული თუ კულტურული კომუნიკაციის ყველა არხი ხელისუფლების კონტროლს დაექვემდებარა. ამ პერიოდში ლიტერატურული პროცესების თუ ლიტერატურული ცხოვრების შესწავლა ან უბრალოდ, აღწერა შეუძლებელია ხელისუფლების მოღვაწეობის განხილვის გარეშე. მხედველობაში გვაქვს სპეციალური დადგენილებები, ლიტერატურის საკითხებზე დირექტივებით გაჯერებული პუბლიკაციები, ლიტერატორთა პირდაპირი, ჯგუფური თუ პირადი კონტაქტები ხელისუფლებასთან, ამის შედეგად ზოგიერთი მათგანის წახალისება, ლიტერატურული ორგანიზაციის საქმიანობის შეწყვეტა ან გაგრძელება, საგამომცემლო ცენზურა, რეპრესიული მეთოდები. საგანგებოდ უნდა გამოვყოთ სალიტერატურო კრიტიკა, რომელსაც განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა ნაწარმოების შეფასებაში. რა თქმა უნდა, უმეტესად, ეს იყო ტენდენციური, ხელისუფლების პოზიციის გამომხატველი შეფასებები.

აქედან გამომდინარე, ამ პერიოდის საქართველოს ლიტერატურული ცხოვრების ნებისმიერი მოვლენის განხილვა საზოგადოებრივ–პოლიტიკური ფონის გათვალისწინების გარეშე შეუძლებლად მიგვაჩნია.1921-31 წლები განსაკუთრებით მძიმე და წინააღმდეგობრივია ქარტული ლიტერატურის ისტორიაში.ამ პერიოდიდან იდეოლოგიური წნეხი კიდევ უფრო ძლიერდება.საკავშირო დადგენილებებსა თუ რეზოლუციებში,რომლებიც ლიტერატურას უკავშირდება,მთავრობის ტონი უფრო და უფრო მწვავე ხდება.” ტრის მოსპობა მის ახლა კლასობრივ ნიღაბში” საყოველთაო და ყოვლისმომცველი ლოზუნგი გახდა.

6. პარიზი და პარიზელები უახლეს ქართულ ლიტერატურაში-იმაგოლოგიური ძიებანი

პარიზს როგორც საფრანგეთის კულტურულ ცენტრს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მთელ ევროპულ და მათ შორის ქართულ კულტურასა და ლიტერატურაში.თვალშისაცემია, როგორც პროზაულ, ისე პოეტურ ტექსტთა მრავალფეროვნება,რომელიც პარიზს ეძღვნება.ამ მხრივ ის გამორჩეული და უნიკალური ქალაქია ამიტომაც ჩვენთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია საფრანგეთის დედაქალაქის – პარიზის და პარიზელების აღქმა უახლეს ქართულ ლიტერატურაში. ფრანგი მწერლისთვის ლეონ პოლ ფარგისთვის პარიზი რომანია ,რომი სკულპტურა, ,ვენა მუსიკა და ნიუ–იორკი კინემატოგრაფი .მაგრამ პარიზს განსაკუთრებულად მრავალფეროვანი აღქმა აქვს,როგორც ქალაქ– თეატრს,სიმბოლური ნიშნებით გამორჩეულ მისტიკურ ქალაქს,ქალაქ– ლაბირინთს ,სოციალური კონტრასტების ქალაქს. აქ ყველა კვარტალი,ქუჩა ,კაფე ,კაბარე ან ტავერნა, ,თითოეული სახლი, საკუთარ ისტორიას ყვება.საფრანგეთის დედაქალაქის აღქმა სხვადასხვა ეპოქაში,ლიტერატურული მიმართულებების მიხედვითაც იცვლებოდა,მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მხატვრული ტექსტების ავტორთა აღქმის თავისებურებებია.

7. **ქართული საბჭოთა ლიტრატურის განვითარების ეტაპები საბჭოთა კულტურულ-იდეოლოგიურ კონტექსტში**

საქართველოში იძულებით დამკვიდრებულმა საბჭოთა წყობილებამ ქვეყანას აღარ მისცა საშუალება,ეკონომიკურ-კულტურული განვითარების თავისი კონცეფცია ჰქონოდა.კულტურისა და ეკონომიკის ძირითად სტრატეგიულ ხაზს განსაზღვრავდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ამ პერიოდში საბჭოთა საზოგადოების ცხოვრება აღიქმებოდა ისტორიულ კონტექსტში,რომელსაც ისტორიული მოვლენების თვალსაზრისით ქმნიდა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია,ხოლო მიმდინარე პროცესების თვალსაზრისით-სოციალიზმის მშენებლობა,საბჭოთა პერიოდის ქართული ლიტერატურის ისტორიას დღეს მკაფიოდ გამოკვეთილი ქრონოლოგიური ჩარჩო აქვს.ქართულ ლიტერატურაში.სოციალისტური რეალიზმის განვითარება ,რომელიც გრძელდებოდა საქართველოს გასაბჭოებიდან საბჭოთა კავშირის დაშლამდე(1921-1991) ოთხ პერიოდს მოიცავს:1921-32 წლები; 1932-1953 წლები ; 1953-1985 წლები; 1985-1991 წლები.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნანა გაფრინდაშვილი	ლიტერატურათმცოდნეობითი იმაგოლოგიური კვლევები საქართველოში	2015 წლის 24025 ივნისი. მეცხრე საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას დაბადებიდან 125 წლისთავისადმი. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თბილისი.
2	ნანა გაფრინდაშვილი	ლიტერატურათმცოდნეობითი იმაგოლოგია, როგორც თანამედროვე ლიტერატურული კომპარატივისტიკის აქტუალური მიმართულება.	2015 წლის 21 მაისი. აკაკი წერეთლის დაბადებიდან 175 და გარდაცვალებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობითი აკადემია, თსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა

			ფაკულტეტი, უკრაინისტიკის ინსტიტუტი.
3	ნანა გაფრინდაშვილი	მულტიკულტურული ლიტერატურა ახალი ესთეტიკური სტრატეგიების ძიებაში (ზურაბ რთველიაშვილის „ხმოვანი პოეზია“	15-18 ოქტომბერი, თბილისი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია“მიგრაციულ ი პროცესები და იდენტობათა ტრანსლაცია“
4	ნანა გაფრინდაშვილი	ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“ და ადამ მიცკევიჩის „ფარისი“ (ტიპოლოგიური პარალელები)	15 ივლისი, 2015 წელი. თბილისი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პოლონეთის რესპუბლიკის საელჩო საქართველოში, საქართველოს პოლონელთა კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „პოლონია“. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „პოლონური კავკასია“: ისტორია და პერსპექტივები.
5	ნინო წერეთელი	XXს.30-იანი წლების ლიტერატურული ცხოვრება ვიქტორ შკლოვსკის წერილებში	24-25 ივნისი თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
6	ნინო წერეთელი	. კრებული ქართველი მწერლები პოლონეთს :ქართულ–პოლონური ლიტერატურული ურთიერთობების კონტექსტში	15- 16 ივნისი თსუ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „პოლონური კავკასია: ქართულ–პოლონური ურთიერთობები“
7	*ნინო წერეთელი*	ბინარული ოპოზიცია „ ჩემი –სხვისი“ ლია სტურუას „ბედნიერ სიჩუმეში“	*18–19 ოქტომბერი შედარებითი ლიტერატურის მე–6 საერთაშორისო კონფერენცია* ილიას სახ.უნივერსიტეტი

8	ნინო წერეთელი	ვლადიმერ პოლეტაევი ნიკოლოზ ბარათაშვილის „ მერანის ‘ თარგმანის შესახებ	*19 დეკემბერი* ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების 170 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თსუ
9	ეკატერინე ნავროზაშვილი	გრიგოლ ფერაძის ჟურნალი “ჯვარი ვაზისა”	*19 დეკემბერი* ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების 170 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თსუ

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1. **ლიტერატურათმცოდნეობითი იმაგოლოგიური კვლევები საქართველოში**

   მოხსენებაში გაანალიზებულია იმაგოლოგიური კვლევების განვითარების ისტორია საქართველოში. იმაგოლოგიის, როგორც შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ლიტერატურულ-ესთეტიკური და ექსტრალიტერატურული ასპექტები.

2. **ლიტერატურათმცოდნეობითი იმაგოლოგია, როგორც თანამედროვე ლიტერატურული კომპარატივისტიკის აქტუალური მიმართულება**

   მოხსენებაში წარმოჩენილია ლიტერატურათმცოდნეობითი იმაგოლოგია, როგორც ლიტერატურული კომპარატივისტიკის აქტუალური მიმართულება, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე ეტაპზე, რადგან ქმნის ხალხთა შორის ნდობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროს.

3. **მულტიკულტურული ლიტერატურა ახალი ესთეტიკური სტრატეგიების ძიებაში (ზურაბ რთველიაშვილის „ხმოვანი პოეზია“**

   მოხსენებაში განხილულია ზურაბ რთველიაშვილის ექსპერიმენტული პოეზია, რომელსაც იგი „ხმოვან პოეზიას“ უწოდებს და რომელსაც ქმნის პოეტურისა და ექსტრაპოეტურის ორგანული სინთეზი. ავტორი ოსტატურად ახერხებს სიტყვებითა და ბგერებით მანიპულირებას და მის მიერ წარმოდგენილი ბგერებისა და სიტყვების კომბინაცია ქმნის ახალ ესთეტიკურ ფენომენს, ახალი ინტერმეიური ხელოვნების ვერბალურ-სამეტყველო საფუძველს. გარდა ამისა ავტორი მიმართავს რეჩიტატივს, დეკლამირებას, სხვადასხვა ტიპის ხმაურა, მელოდიებს და სხვ,

4. **ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“ და ადამ მიცკევიჩის „ფარისი“ (ტიპოლოგიური პარალელები)**

   მოხსენებაში ტიპოლოგიურ ჭრილში შესწავლილია ცნობილი რომანტიკოსი პოეტების ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ადამ მიცკევიჩის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებები : „მერანი“ და „ფარისი“ და ეპოქის იდეურ-ესთეტიკური თავისებურებებისა და მახასიათებლების ფონზე ნაჩვენებია მათი მსგავსება-განსხვავებები.

5. **XXს.30-იანი წლების ლიტერატურული ცხოვრება ვიქტორ შკლოვსკის წერილებში**

1. ვ.შკლოვსკის ამ პერიოდის პირად წერილებში ჩანს საბჭოთა მწერლისთვის დამახიათებელი „ „ორმაგი ცხოვრებით“ ცხოვრება. სხვა პერიოდის პირადი წერილებისგან განსხვავებით, ავტორის ტონალობაც აღარ არის ოპტიმისტური.1934 წელს ი.ტინიანოვისთვის მიწერილ წერილში შკლოვსკი ცდილობს გაიაზროს ავანგარდიზმის ევოლუცია და განსაზღვროს მისი ურთიერთობა სოციალურ რეალობასთან, რაც კიდევ ერთხელ გვიჩვენებს ტოტალიტარული სახელმწიფოს მიერ შექმნილი ესთეტიკის და ლიტერატურული ცხოვრების წინააღმდეგობრივ გზას.“ ჩვენ ერთმანეთს არ ვეთანხმებით, რადგან კულტურის სხვადასხვა ხაზზე ვართ,თანაც ერთი დაჯგუფების , ,ერთი ფორმულირების გარშემო გართიანებულები,თუ თანამგზავრები არ ვიყავით, ვიყავით ერთი კონსტრუქციის რკინა და ცემენტი... დაგვანგრიეს.“

2. . კრებული ქართველი მწერლები პოლონეთს :ქართულ–პოლონური ლიტერატურული ურთიერთობების კონტექსტში

60-იან წლებში რუსეთში და საბჭოთა კავშირის ბევრ რესპუბლიკაში პოლონური კულტურის და ლიტერატურის პოპულარობამ პიკს მიაღწია.როგორც ი,ბროდსკი აღნიშნავდა,პოლონეთი გახდა „კულტურის წყარო“,“საინფორმაციო არხი“ ,“ფანჯარა ევროპასა და მსოფლიოში“.საბჭოთა მოქალაქეები საგანგებოდ სწავლობდნენ პოლონურ ენას,რათა პოლონურ პრესას გაცნობოდნენ,მიეღოთ სწორი პოლიტიკური თუ კულტურული ინფორმაცია,რომელიც ასე შეზღუდულად შემოდიოდა საბჭოთა კავშირში. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ჟურნალი „ოპინიე“, სადაც დაიბეჭდა საბჭოთა იდეოლოგიისთვის მიუღებელი ავტორები. საბჭოთა კავშირის პოლიტიკა მუდმივად ებრძოდა პოლონეთის „პოეტიკას“. პოლონეთის უძველესი კულტურული და ლიტერატურული ტრადიციები კომუნისტურმა დოგმებმა ვერ შეცვალა. სსრკ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში არსებობდა სპეციალური განყოფილება,რომელიც „მოძმე სოციალისტურ ქვეყნებს კურირებდა.და განსაკუთრებით აქტიურად ერეოდა პოლონეთის კულტურის და ლიტერატურის საკითხებში,რადგან ითვლებოდა,რომ „იდეოლოგიური ფრონტის“ მხრივ პოლონეთში საშიშროება არსებობდა. თბილისში. 1959 წელს დაბეჭდილი კრებულში „ ქართველი მწერლები პოლონეთს“ გამოქვეყნებულია პ.იაშვილის,ს.ჩიქოვანის,გ.ლეონიძის ,თ.ჯანგულაშვილის ლექსები და თ.გოგოლაძის ერთი მოთხრობა. მიხედავად იმისა, რომ კრებულის თემატიკა სოციალისტური რეალიზმის მოთხოვნებს სრულად პასუხობს, იგი უდავოდ წარმოადგენს საინტერესო ლიტერატურულ მოვლენას ქართულ-პოლონური ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიაში.

6. ბინარული ოპოზიცია „ ჩემი –სხვისი“ ლია სტურუას „ბედნიერ სიჩუმეში“

ლია სტურუას მხატვრულ ესეში „ ბედნიერი სიჩუმე“,პარიზის თემა სრულიად ინტიმურია და განსაკუთრებული.ეს გრძნობა ავტორისთვის „ბედნიერი სიჩუმეა“(გ.ფლობერი).ნაწარმოების სათაურიც და შინაარსიც სწორედ ამ იდუმალ გრძნობას ასახავს. „ ბედნიერი სიჩუმე“ ძალზე საინტერესო ლიტერატურული ტექსტია ,სადაც მხატვრული სახეების მრავალფეროვნება და მეტაფორული აზროვნება განსაკუთრებულად თვალშისაცემია.“ბედნიერ სიჩუმეში“ ხაზგამულად არ არის დემონსტრირებული კონცეპტი „სხვა“ ,რომელიც ჰარმონიაშია საკუთართან“.აუცილებელია აღვნიშნოთ,რომ „სხვა“ მაქსიმალურად რედუცირებულია თხრობაში,აბსოლუტურად დაძლეულია გაუცხოების თემა და საინტერესოდ არის გადაჭრილი პრობლემა მუდმივი კოლიზიის - „ჩემი- სხვისი“

7. ვლადიმერ პოლეტაევი ნიკოლოზ ბარათაშვილის „ მერანის ‘ თარგმანის შესახებ

ვ.პოლეტაევის(1951-1971) აზრით,ნ.ბარათაშვილის” მერანის” ვერცერთმა თარგმანმა ვერ დააკმაყოფილა ქართველი მკითხველი.პოეტის საიუბილეო პერიოდში გამოცხადებულმა კონკურსმა ცხადყო,თუ რაოდენ რთულია ორიგინალის შესატყვისი თარგმანის შექმნა.ვ.პოლეტაევი თვლის რომ პასტერნაკმა ბრწყინვალედ თარგმნა ბარათაშვილის პოეზია,გამონაკლისს მხოლოდ „ მერანი“წარმოადგენს ,სადაც არ ჩანს,რომ მერანი ბედისგან ლტოლვილი სულია. ბარათაშვილის „მერანს“ პოლეტაევი ლერმონტოვის „იალქანს“ ადარებს ,მაგრამ ძირეულ განსხვავებასაც აღნიშნავს.ლერმონტოვის უიმედობას უპირისპირებს ბარათაშვილის მეამბოხე სულს და ამ მეამბოხე სულის გამარჯვებას ხედავს. პოლეტაევი ფიქრობს,რომ „მერანს“ ლერმონტოვი ან ჟუკოვსკი ზუსტად

.გადათარგმნიდნენ. „ მერანი“ ელის მთარგმნელს,რომელსაც მისი გადათარგმნა პოეტთან “ სულიერმა სიახლოვემ, ტალანტმა და დიდმა ოსტატობამ უნდა შეაძლებინოს.

8. გრიგოლ ფერაძის ჟურნალი “ჯვარი ვაზისა”

დღემდე საგანგებო კვლევის საგნად არ ქცეულა მე-20 საუკუნის ქართული პოლიტიკური ემიგრაციის საქმიანობა და განსაკუთრებით საეკლესიო წრეებისა, რომლებიც ამავე ეპოქის დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში არსებობდა.
ამ კუთხით ჩვენთვის საინტერესოა ემიგრაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწის გრიგოლ ფერაძის საქმიანობა. საფრანგეთში წმინდა ნინოს სახელობის ქართული ეკლესიისა და ქართველთა სამრევლო საზოგადოების დაარსების შემდეგ (1931წ.) გრ. ფერაძემ სამეცნიერო წელიწდეულის - „ჯვარი ვაზისას“ გამოცემა დაიწყო. რომლის ავტორი და რედაქტორი თავად გრ. ფერაძე გახლდათ. სულ ამ ჟურნალის 4 ნომერი დაიბეჭდა (I- 1931 წ., II-1932წ., III-1933წ., IV-1934 წ.).
უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალ „ჯვარი ვაზისას“ თემატიკა მრავალფეროვანია. კვლევის პროცესში გამოვყავით: **ეპისტოლეები** - კოსტანტინოპოლის პატრიარქის ბასილი III -ის ეპისტოლე, კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატე I-ის წერილები, **გრ. ფერაძის ქადაგებები** - 1931 წლის 31 მაისს პარიზში პირველ ქართულ მართლმადიდებლურ წირვაზე წარმოთქმული და 1932 წლის საშობაო ქადაგებები, **სამეცნიერო გამოკვლევები** - რომლებიც რედაქტორის ფართო თვალსაწიერს წარმოგვიდგენს. ფერაძე თავის ნაშრომებში შეისწავლის სხვადასხვა ეპოქისა და განსხვავებული შინაარსის ტექსტებს - ბესიკ გაბაშვილის გამოუქვეყნებელ ლექსს, წმინდა გიორგის სახეს მსოფლიო და ქართულ მწერლობაში, გვთავაზობს უცნობი ხელნაწერის „ქრონიკა იოანე ნათლისმცემლის მე-18 საუკუნის მონასტრის“ ვრცელ აღწერილობას . ცალკე განხილვის საგანია **„მამაო ჩვენოს“ განმარტებათა ციკლი** და მღვდელმოწამის **ორიგინალური შემოქმედება** - პოემა „რომელნი ქერუბიმთა“.
ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჟურნალის მეორე ნომერში დაბეჭდილი სოლომონის „ქაბათა ქების“ ფერაძისეული თარგმანი, რომელიც მინაწერის მიხედვით, ფერაძეს ძველი ებრაულიდან შეუსრულებია. მთარგმნელი საინტერესო მოსაზრებებს გვთავაზობს როგორც ტექსტის შინაარსზე, ასევე სათაურის მის მიერ შერჩეულ ვარიანტსა და „ქებათა ქების“ ძველი აღთქმის წიგნთა შორის დამკვიდრების შესახებ.
მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალის მხოლოდ რამდენიმე ნომერი გამოიცა, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, საკუთარი იდენტობის შენარჩუნების გზაზე, გრ. ფერაძის „ჯვარი ვაზისას“განსაკუთრებული და საპატიო ადგილი უკავია ქართული ემიგრაციის ისტორიაში

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Нана Гапрындашвілі	Праблема асобы аўтара ў кантэксце літаратурных узаемаадносін савецкага перыяду (Уладзімір Караткевіч і грузінскае літаратурнае асяроддзе	Пяты Міжнародны Кангрэс даследчыкаў Беларусі. 2-4 кастрычніка 2015 года. Kaunas. Lithuania.
2	Гоциридзе Д. Гаприндашвили Н.	Человек как объект лингвокультурологического описания	XIII конгресс Международной

	Твалтвадзе Д.		ассоциации преподавателей русского языка и литературы Русский язык и литература в пространстве мировой культуры. 13-14 сентября 2015 года. Гранада. Испания
3	ნანა გაფრინდაშვილი ნინო წერეთელი	Этапы развития грузинской советской литературы в контексте русско-советской культурно-идеологической политики.	**XXIII Международной научной конференции «ЯЗЫК И КУЛЬТУРА» им. проф. Сергея Бураго,** ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ნაციონალური უნივერსიტეტი დიმიტრი ბურაგოს სახელობის საგამომცემლო სახლი **Киев. Украина**
4	Nana Gaprindashvili	Ethno-imagological research of post-colonial epoch in Georgian literary studies:Challenges and perspectives	International Scientific conference: Imagology profiles The Dynamics of National Imagery in Literature Institute of Lithuanian literatu and folklore,Vilnius February 6-7 ,2015
5	Nana Gaprindashvili, Nino Tsereteli	Children's Literature under the Communist Regime (On the Material of Soviet Georgian Children's Literature)	Literary Field under the Communist Regime: Structure, Functions, *Illusio* Institute of Lithuanian Literature and Folklore Antakalnio str. 6, Vilnius, Lithuania October7–9 ,2015

6	Nana Gaprindashvili	The Tendencies of Researching Cultural Iconography in the Georgian Literary Studies (History and Perspectives)	4th International Conference on Language, Literature, and Culture - B/Orders Unbound: Transgressing the Limit in Arts and Humanities, , Department of English Language and Literature at Sۜleyman Demirel University, Isparta-Turkey. May 7-8, 2015
7.	ნინო წერეთელი მარიამ მირესაშვილი	some aspects of the Transformation of a model of National Stereotype	International Scientific conference: Imagology profiles The Dynamics of National Imagery in Literature Institute of Lithuanian literatu and folklore,Vilnius February 6-7 ,2015
8.	ნინო წერეთელი	Paris and Parisians in the Modern Georgian Literature – Imagological Researches	4th International Conference on Language, Literature, and Culture - B/Orders Unbound: Transgressing the Limit in Arts and Humanities, , Department of English Language and Literature at Sۜleyman Demirel University, Isparta-Turkey. May 7-8, 2015
10.	ნინო წერეთელი	Translator and Peculiarities of the Process of Poetic Translation (according to Vladimir Poletaev's book "The Sky Joins the Earth")	Language and Crosscultural communication V International scientific conference Lithuanian University of Educational sciences Minsk-Vilnius May 23-25. 2015

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1. **ავტორის პიროვნების პრობლემა საბჭოთა პერიოდის ლიტერატურული**

ურთიერთობების კონტექსტში (ვლადიმერ კოროტკევიჩი და ქართული სალიტერატურო გარემო)

მოხსენებაში ცნობილი ბელორუსი მწერლის ვლადიმერ კოროტკევიჩის პიროვნებისა და შემოქმედების მაგალითზე განხილულია, როგორ მოქმედებდა ავტორის პიროვნება და მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებები მწერლის ჩართვაზე ლიტერატურულ ურთიერთობებში და მისი შემოქმედების პოპულარიზაციაზე.

2. **ადამიანი, როგორც ლინგვოკულტურული ასახვის ობიექტი**

მოხსენებაში დასმულია ადამიანის, როგორც ლინგვოკულტურული ასახვის ობიექტის, პრობლემა და ნაჩვენებია ის თავისებურებები და სპეციფიკური ნიშნები, რომლებიც კონკრეტული სოციო-კულტურული გარემოს თავისებურებებიდან გამომდინარე განაპირობებს ადამიანის ლინგვიკულტურულ მახასიათებლებს.

3. **ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების ეტაპები რუსულ-საბჭოთა კულტურულ-იდეოლოგიური პოლიტიკის კონტექსტში.**

საქართველოში იძულებით დამკვიდრებულმა საბჭოთა წყობილებამ ქვეყანას აღარ მისცა საშუალება,ეკონომიკურ-კულტურული განვითარების თავისი კონცეფცია ჰქონოდა.კულტურისა და ეკონომიკის ძირითად სტრატეგიულ ხაზს განსაზღვრავდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ამ პერიოდში საბჭოთა საზოგადოების ცხოვრება აღიქმებოდა ისტორიულ კონტექსტში,რომელსაც ისტორიული მოვლენების თვალსაზრისით ქმნიდა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია,ხოლო მიმდინარე პროცესების თვალსაზრისით-სოციალიზმის მშენებლობა,საბჭოთა პერიოდის ქართული ლიტერატურის ისტორიას დღეს მკაფიოდ გამოკვეთილი ქრონოლოგიური ჩარჩო აქვს.ქართულ ლიტერატურაში.სოციალისტური რეალიზმის განვითარება ,რომელიც გრძელდებოდა საქართველოს გასაბჭოებიდან საბჭოთა კავშირის დაშლამდე(1921-1991) ოთხ პერიოდს მოიცავს:1921-32 წლები; 1932-1953 წლები ; 1953-1985 წლები; 1985-1991 წლები.

4. **პოსტკოლონიური ეპოქის ეთნო-იმაგოლოგიური კვლევები ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში: პერსპექტივები და გამოწვევები.**

მოხსენებაში ლიტერატურათმცოდნეონითი იმაგოლოგია განხილულია, როგორც თანამედროვე ლიტერატურული კომპარატივისტიკის აქტუალური მიმართულება და შესწავლილია ქართული ლიტერატურათმცოდნეობა ამ თვალსაზრისით. ნაჩვენებია, რომ საქართველოშიც წარმოებს კვლევებში, რომლებშიც პოლიტიკური, ისტორიული, სოციოკულტურული და სხვა ფაქტების ზემოქმედების შედეგად ხდება უცხოურ ლიტერატურებში ქართველის, ხოლო ქართულ ლიტერატურაში სხვა ერების სახის ფორმირების მექანიზმის შესწავლა.

5. **საბავშვო ლიტერატურა კომუნისტური რეჟიმის პირობებში (საბჭოთა პერიოდის ქართული საბავშვო ლიტერატურის მაგალითზე)**

მოხსენებაში ქართული საბჭოთა საბავშვო ლიტერატურის განვითარების თავისებურებანი განხილულია ცენზურის ზეწოლის პირობებში და წარმოჩენილია საბავშვო თემატიკის თავისებურებანი ორმაგი კოდირების პოზიციებიდან.

6. **კულტურული იკონოგრაფიის კვლევის ტენდენციები ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში (ისტორია და პერსპექტივები)**

მოხსენებაში დასმულია კულტურული იკონოგრაფიის, როგორც შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემის, თეორიული და პრაქტიკული ასპექტები და ნაჩვენებია, რომ ამ ტიპის კვლევები საქართველოში მე-20 ს-ის 50-60-იანი წლებიდან იღებს სათავეს და მნიშვნელოვნად იყო ნასაზრდოები საბჭოთა იდეოლოგიითა და სოცრეალიზმის კანონით. კულტურული იკონოგრაფია როგორც თანამედროვე ლიტერატურის ასახვის ობიექტი და როგორც თანამედროვე

ლიტერატურათმცოდნეობის შესწავლის საგანი სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იჭერს ქართულ სოციო-კულტურულ სივრცეში და პერსპექტიული მიმართულება ხდება.

7. ნაციონალური სტერეოტიპის მოდელის ტრანსფორმაციის ზოგიერთი ასპექტის შესახებ

ნაციონალური სტერეოტიპისა და და ნაციონალური იდენტობის პრობლემები ერთმანეთთს მჭიდროდ უკავშირდება და როგორც ნებისმიერი სტერეოტიპი, ერთად წარმოადგენენ სოციალური კონსტრუქტის თავისებურ სახეს,ინდივიდის მოტივაციათა განმსაზღვრელ წყაროს.რიგი მკვლევრები სტერეოტიპის სამ ასპექტს გამოყოფენ:შემეცნებითს,პრაგმატულს და ემოციონალურს.დადებითი ან უარყოფითი შეფასება შეიძლება გავრცელდეს როგორც საკუთარ,ასევე სხვა ეროვნებებზეც.ამასთან ერთად,ეს შეფასება ვრცელდება არა მხოლოდ სტერეოტიპულ ობიექტზე ,არამედ იმაზეც ვინც ეს სტერეოტიპი შექმნა და დაამკვიდრა. სტერეოტიპული აზროვნება ისწრაფვის ,რათა „ჩემი“,გამიჯნოს „სხვისგან“ და ნაციონალური მახასიათებლები („ჩემი“)დაუპირისპიროს მეტწილად იმ ერის ნაციონალურ მახასიათებლებს ,რომლებიც მისთვის უარყოფითი კონოტაციის მატარებელია.(„სხვა“).

8. პარიზი და პარიზელები უახლეს ქართულ ლიტერატურაში-იმაგოლოგიური კვლევები

პარიზს როგორც საფრანგეთის კულტურულ ცენტრს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მთელ ევროპულ და მათ შორის ქართულ კულტურასა და ლიტერატურაში.თვალშისაცემია, როგორც პროზაულ, ისე პოეტურ ტექსტთა მრავალფეროვნება,რომელიც პარიზს ეძღვნება.ამ მხრივ ის გამორჩეული და უნიკალური ქალაქია. ჩვენთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია საფრანგეთის დედაქალაქის – პარიზის და პარიზელების აღქმა უახლეს ქართულ ლიტერატურაში. ახალი ქალაქის აღქმა სამოგზაურო ლიტერატურაში ძირითადად უკავშირდება ქალაქის გარემოსთან ურთიერთობას, ეროვნულ ტრადიციებს, ადამიანთა გარეგნული თვისებების აღწერას,ადამიანური ურთიერთობების თავისებურებების შეფასებას . პარიზს გარკვეულწილად სტერეოტიპული აღქმა აქვს.პარიზი თითქოს ცხოვრების აზრია ,რომელიც ჭეშმარიტ თავისუფლებას უკავშირდება. მოხსენებაში მიმოხილულია პარიზის თემასთან დაკავშირებული თანამედროვე ქართველი ავტორების (ლ,სტურუა,მ/ბექაური) ლიტერატურული ტექსტები.

9. მთარგმნელი და პოეტური თარგმანის თავისებურებები(ვ.პოლეტაევის წიგნის „ ცა დედამიწას უერთდება“ მაგალითზე)

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1				
დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

II. 4.

2	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	ბიორეგულატორებისა და მძიმე მეტალთა გამოყენების პერსპექტიულობა ძუძუს სადინრის კიბოს განვითარების შესაჩერებლად/სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები; გენეტიკა; ონკოლოგია.	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	პროფესორი თეიმურაზ ლეჟავა	მაია გაიოზიშვილი ჯამლეტ მონასელიძე თამარ ბუაძე
კვლევებს გააჩნიათ, ერთი მხრივ, თეორიული მნიშვნელობა, რადგან იძლევიან ინფორმაციას გენომის ფუნქციონირების ცვალებადობის თავისებურებათა შესახებ ძუძუს სადინრის ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ ინდივიდთა უჯრედებში. საშუალებას იძლევა მოხდეს ძუძუს სადინრის ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულთა გენეტიკური პარამეტრებისა და მდგომარეობის გარკვევა. ჰეტეროქრომატული დამოკლებული ტელომერას სიგრძის ნორმალიზაცია და რეპარაციულ ფერმენტთა კომპლექსის გამოთავისუფლება. მეორე მხრივ, ყოველივე ეს მიუთითებს პრაქტიკულ მნიშვნელობაზეც, რაც მოიცავს თერაპიულ შესაძლებლობას ძუძუს სადინრის ავთვისებიანი სიმსივნის ზრდის შესაჩერებლად.				

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის	გამოცემის ადგილი,	გვერდების

		სათაური	გამომცემლობა	რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
ანოტაციები ქართულ ენაზე					

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				

ანოტაციები ქართულ ენაზე

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ-ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თ.ლეჟავა, ჯ.მონასელიძე, თ.ჯოხაძე, მ.გაიოზიშვილი	Epigenetic Regulation of “Aged” Heterochromatin by Peptide Bioregulator Cortagen/International Journal of Peptide research and Therapeutics	ISSN 1573-3149, Volume 21, Number 1	Springer	7 გვერდი
2	ლ.კიკალიშვილი, მ.რამიშვილი, გ.ნემსაძე, თ.ლეჟავა, პ.ხორავა, მ.გორგოშიძე, მ.კილაძე, ჯ.მონასელიძე	Thermal stability of blood plasma proteins of breast cancer patients, DSC study	ISSN 1388-6150, Volume 120, Issue 1	Springer	5 გვერდი

1) პეპტიდურ ბიორეგულატორ კორტაგენს (Ala-Glu-Asp-Pro) აქვს გამოხატული თერაპიული ეფექტი ადამიანის დაზიანებული პერიფერიული ნერვული ქსოვილის სტრუქტურულ და ფუნქციურ აღდგენაზე. შესწავლილი იქნა სინთეზური პეპტიდური ბიორეგულატორის ეფექტი ზოგად, კონსტიტუციურ (პერიცენტრული და ბირთვაკმაორგანიზებელ რეგიონებში განთავსებული (NOR)) და ფაკულტატურ ჰეტეროქრომატინზე 80 წლის და მეტი ასაკის ინდივიდთა ლიმფოციტურ კულტურებში. გამოყენებული იყო მოლეკულურ-ციტოგენეტიკური მეთოდები: დიფერენციალური სკანირების კალორიმეტრია; რიბოსომული გენების აქტივობის შეფასება; სტრუქტურული პერიცენტრომერული C-ჰეტეროქრომატინის პოლიმორფიზმის განსაზღვრა; ფაკულტატური ჰეტეროქრომატინის ვარიაბელობა. დავადგინეთ, რომ პეპტიდური ბიორეგულატორი (Ala-Glu-Asp-Pro) იწვევს ზოგადი ჰეტეროქრომატინის დეკონდენსაციას (დეჰეტეროქრომატინიზაციას); სინთეზური პროცესების აქტივაციას - როგორც აკროცენტრულ ქრომოსომათა სატელიტური ძაფების დეჰეტეროქრომატინიზაციის შედეგს. არ იწვევს პერიცენტრომერული სტრუქტურული ჰეტეროქრომატინის დეკონდენსაციას; ფაკულტატური ჰეტეროქრომატული რეგიონების დეკონდენსაციის შედეგად ახდენს "ჩაკეტილი გენების" გამონთავისუფლებას.

2) შესწავლილი იყო 17 პაციენტის (წინასწარი დიაგნოზი: ძუძუ სადინრის კიბო) სისხლის პლაზმაში ძირითადი ცილების თერმოდინამიკური სტაბილურობა. ყველა შემთხვევაში, მრუდებისა და ღღობის თერმოდინამიკური პარამეტრების პროფილი ნორმისაგან განსხვავებული იყო. დაავადების სტადიის მიხედვით, ალბუმინების ღღობის ტემპერატურა (Tm) გაიზარდა მაქსიმუმ 6 °C,

ინტეგრალური ლღობის სიგანე (ΔTm) გაიზარდა 40–100 %, ლღობის ენთალპია (ΔHm) პრაქტიკულად არ შეცვლილა და შეადგინა 23.0 Jg-1 (ცილა). რაც უფრო მნიშვნელოვანი იყო, ახალი, სუსტად გამოხატული მხრის სპექტრი გამოვლინდა 57-58 °C დიაპაზონში, მაშინ როცა ჯერ არ იყო მკერდში აღმოჩენილი რიგიდული ქსოვილოვანი მასა. I სტადიაზე ექსპრესირებულმა მხარმა III სტადიაზე გამოავლინა ნათელი პიკი შემდეგი ლღობის პარამეტრებით: Tm = 58 ± 1 °C და ΔTm = 2.5 ± 0.5 °C. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დიფერენციული სკანირების კალორიმეტრია შეიძლება იქნას გამოყენებული როგორც ერთ-ერთი იაფი და სწრაფი მეთოდი კიბოს განვითარების რისკის შესაფასებლად მანამ, სანამ ფორმირდება სიმსივნური ქსოვილის მასა სარძევე ჯირკვლებში.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	თეიმურაზ ლეჟავა	ქრომოსომების მახასიათებლები ძუძუს კიბოს განვითარებისას	2-7 თებერვალი, 2015, თსუ, თბილისი, საქართველო
2	თინათინ ჯოხაძე	მეტალების გავლენა სომატური რეკომბინაციის სიხშირესა და ქრომოსომათა ფრაგილურობაზე სხვადასხვა ასაკის ინდივიდებში და მისი კორექციის შესაძლებლობის შესწავლა ეპიტალონით	2-7 თებერვალი, 2015, თსუ, თბილისი, საქართველო.
3	მაია გაიოზიშვილი	გენომის სტაბლურობის დონის განსაზღვრა ათეროსკლეროზის დროს	2-7 თებერვალი, 2015, თსუ, თბილისი, საქართველო.
4	მაია გაიოზიშვილი	გენომის არასტაბლურობის ათეროსკლეროზის დროს და მისი კორექციის შესაძლებლობა	21 თებერვალი – 1 მარტი, 2015, ბაკურიანი, საქართველო.

1) ძუძუს კიბო სიკვდილიანობის ერთერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენს ქალთა შორის მსოფლიოში. საქართველოში 2011 წლისათვის ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ ქალთა 42.5 % ძუძუს კიბოს დიაგნოზით აღრიცხვაზე იმყოფებოდა, მათგან 17% გარდაიცვალა. სხვადასხვა სახის ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტებს პერიფერიული სისხლის ლიმფოციტებში აღენიშნებათ გენეტიკური დარღვევები, ქრომოსომული დარღვევების ჩათვლით. მრავალი ლიტერატურული წყარო მიუთითებს პოზიტიური კორელაციაზე სისხლის ლიმფოციტებში ქრომოსომულ აბერაციებსა და ძუძუს კიბოს წარმოშობას შორის. ნაშრომში განხილულია ძუძუს კიბოთი დაავადებულ ავადმყოფთა ლიმფოციტებში : 1. დნმ-ს ერთეული ძაფების დარღვევის სიხშირე „კომეტ ესსეი“ (Comet Assay) მეთოდით ; 2. ფრაგილური საიტების სიხშირე და მათი განაწილება კარიოტიპში და 3. ქრომოსომათა სტრუქტურული დარღვევები. ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ : დნმ-ს

ერთძაფიანი დარღვევების სიხშირე, ძუძუს კიბოთი დაავადებულთა ლიმფოციტებში, შეესაბამებოდა 18%-ს (კონტროლი -10%), ფრაგილური საიტების სიხშირე ერთ უჯრედზე იყო 4,14 +0.3 (კონტროლი -0,42+0.1). ქრომოსომათა სტრუქტურული დარღვევები სტატისტიკურად არ განსხვავდებოდა ჯამრთელ ინდივიდთა საკონტროლო ჯგუფისაგან.

2) ჩატარებულია მეტალთა იონებით (Ni, Co, Zn) ინდუცირებული გენომის ფუნქციური მახასიათებლების ცვალებადობის შედარებითი შესწავლა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში (30-38 წლისა და 78-85 წლის ინდივიდთა) ორი პარამეტრის - შვილეულ ქრომატიდთაშორისი გაცვლების სიხშირისა (სომატური რეკომბინაციის სიხშირე) და ქრომოსომათა ფრაგილური საიტების ტესტის მიხედვით. შესწავლილია შეცვლილი გენომური მაჩვენებლების კორექციის შესაძლებლობა გეროპროტექტორული ბუნების პეპტიდური ბიორეგულატორის - ეპიტალონის მეშვეობით. კვლევები ჩატარდა ლიმფოციტარულ კულტურათა უჯრედების გამოყენებით. ნაჩვენებია, რომ შესწავლილი მეტალები შერჩევითად მოქმედებენ სხვადასხვა ასაკის ინდივიდთა ქრომატინზე და ასევე სპეციფიკურ დამოკიდებულებას ავლენენ ეპიტალონის მაკორეგირებელი მოქმედებისადმი. კერძოდ, Zn და Co მნიშვნელოვნად ზრდიან ფრაგილური საიტების სიხშირეს საშუალო ასაკობრივ ჯგუფში; Ni კი მსგავს ეფექტს მხოლოდ ხანდაზმულ ინდივიდთა უჯრედებში ავლენს. Zn ასევე მნიშვნელოვნად ზრდის ქრომატიდთაშორისი გაცვლების სიხშირეს მხოლოდ ხანდაზმულ ინდივიდებში. Co და Ni ამ მხრივ არააქტიურნი აღმოჩნდნენ. ეპიტალონი მამოდიფიცირებელ მოქმედებას ფრაგილურ საიტებთან მიმართებაში ავლენს Zn-ის ეფექტზე ხანდაზმულთა ჯგფუში - ამცირებს ფრაგილური საიტების შემცველი უჯრედების სიხშირეს; ცვლის Ni-ით ინდუცირებული ფრაგილური საიტების განაწილებას საშუალო ასაკობრივ ჯგუფში. რაც შეეხება ქრომატიდთაშორის გაცვლებს - ეპიტალონის მოქმედებისას მცირდება Zn-ით ინდუცირებული გაცვლების სიხშირე ხანდაზმულთა ჯგუფში, და ასევე მცირდება Co-ით ინდუცირებული ცენტრომერული გაცვლების ხვედრითი წილი საშუალო ასაკში.

3) 4) ჩატარებულია გენომის სტაბილურობის დონის შედარებითი შესწავლა ათეროსკლეროზით დაავადებულ ინდივიდთა ორი ასაკობრივი ჯგუფის (30-35 წელი და 80 წელი და ზევით) ლიმფოციტურ კულტურათა უჯრედებში ქრომოსომათა რაოდენობრივი და სტრუქტურული დარღვევების პარამეტრების (ანეუპლოიდია, პოლიპლოიდია, სტრუქტურული მუტაციები) მიხედვით. შესწავლილია აგრეთვე შეცვლილი გენომური მაჩვენებლების კორექციის შესაძლებლობა პეპტიდური ბიორეგულატორის - ლივაგენის (Lys-Glu-Asp-Ala) მეშვეობით მისი განმხოლოებული და კობალტის იონებთან ერთობლივი ზემოქმედებისას. კონტროლს წარმოადგენდა შესაბამისი ორი ასაკობრივი ჯგუფის ჯანმრთელ ინდივიდთა ლიმფოციტური კულტურები. ნაჩვენებია, რომ ათეროსკლეროზით დაავადებულებს, მიუხედავად ასაკობრივი კუთვნილებისა, აღენიშნებათ გენომური არასტაბილურობის მაღალი დონე ყველა შესწავლილი პარამეტრის მიხედვით, რაც ათეროსკლეროზის დროს ქრომატინის გაზრდილ კონდენსაციაზე, ჰეტეროქრომატინიზაციაზე მიუთითებს. ნაჩვენებია, აგრეთვე, რომ ლივაგენი, რომელიც ხასიათდება ქრომატინის მამოდიფიცირებელი ეფექტით, ხელს უწყობს როგორც განცალკევებული ზემოქმედებისას, ისე კობალტთან კომბინაციაში, შეცვლილი გენომური მაჩვენებლების ნორმალიზაციას ათეროსკლეროზის დროს, ორივე ასაკობრივ ჯგუფში. მიღებული შედეგები აიხსნება ლივაგენისა და ლივაგენ-კობალტის კომბინაციის მადეკონდენსირებელი გავლენით ათეროსკლეროზით დაავადებულთა ჰეტეროქრომატინზე. ლივაგენის განმხოლოებული და კობალტის იონებთან ერთობლივი ზემოქმედებისას გამოვლენილი პროტექტორული როლის საფუძველზე გამოტანილია დასკვნა მისი გამოყენების პერსპექტიულობის შესახებ ათეროსკლეროზით დაავადების მაღალი რისკის პირებში პრევენტული ღონისძიებების შემუშავებისათვის.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	თეიმურაზ ლეჟავა	გენომის ეპიგენეტიკური ცვალებადობა 80 წლის და მეტი ასაკის მოხუცებში	13-15 ნოემბერი, 2015, ქინგდაო, ჩინეთი.
წარმოდგენილ კვლევაში განხილულია ჰეტეროქრომატინის (ზოგადი ჰეტეროქრომატინი, კონსტიტუციური - პერიცენტრომერული და ტელომერული ჰეტეროქრომატინი, ბირთვაკის მაორგანიზებელი რეგიონების - NOR და ფაკულტატური ჰეტეროქრომატინი) მოდიფიკაციის შესაძლებლობა პეპტიდური ბიორეგულატორების (ტეტრაპეპტიდების - Ala-Glu-Asp-Gly; Lys-Glu-Asp-Ala და დიპეპტიდის - Lys-Glu) და მძიმე მეტალების ზემოქმედებით 80 წლის და მეტი ასაკის ინდივიდთა ლიმფოციტურ კულტურებში. შედეგების ანალიზმა აჩვენა: 1) ასაკის მატებასთან ერთად ხდება ზოგადი, კონსტიტუციური (პერიცენტრომერული, ტელომერული და NOR ჰეტეროქრომატინი) და ფაკულტატური ჰეტეროქრომატინის პროგრესირებადი ჰეტეროქრომატინიზაცია; 2) პეპტიდური ბიორეგულატორები იწვევენ ზოგადი ჰეტეროქრომატინის გაშლას - დეჰეტეროქრომატინიზაციას; 3) თითოეული პეპტიდური ბიორეგულატორი შერჩევითად მოქმედებს განსაზღვრული ქრომოსომის დეჰეტეროქრომატინიზაციაზე; 4) კობალტის იონები ტეტრაპეპტიდურ ბიორეგულატორთან (lys-Glu-Asp-Ala) კომბინაციაში ინდუცირებს შვილეულ ქრომატიდთაშორისი გაცვლების მაღალ დონეს - იწვევს ტელომერული ჰეტეროქრომატინული რაიონების დეჰეტეროქრომატინიზაციას ხანდაზმულ ინდივიდთა ლიმფოციტებში. კონსტიტუციური და ფაკულტატური ჰეტეროქრომატინის რემოდელირების (პერიცენტრომერული და ტელომერული რაიონების ჰეტერო - და დეჰეტეროქრომატინიზაცია) შემოთავაზებული გენეტიკური მექანიზმი ხანდაზმულ ინდივიდებში, შესაძლოა გახდეს თერაპიული მკურნალობის საფუძველი.			

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1				
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

IV. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1				
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის მიმართულება

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი

ბ.მ.დ. პროფესორი ნანული დორეული

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორი, ბ.მ.დ, ნანული დორეული; ბ.მ.დ., ფიზიოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორი სულხან ცაგარელი; ბ.აკად. დ., ასოცირებული პროფესორი მაგდა ალანია; ბ.აკად.დ, ასისტ. პროფესორი ბუციკო ჩხარტიშვილი; პედაგოგი მანანა ჩიქოვანი; ბ.აკად. დ. ეკატერინე მითაიშვილი; ბ. აკად. დ. როზა ბუკია; ბ.აკად.დ. მარინე დავითაშვილი;ბ.აკად. დ., ზურაბ ქუჩუკაშვილი; ბ.მ.დ. ბესარიონ ფარცვანია; ბიოლ.მეცნ.დოქტორი გივი გორგილძე; ბ. აკად. დოქტორი ერა კალანდარიშვილი; მარინე დავითაშვილი, ანასტასია თაქთაქიშვილი, ნინო გელაშვილი, ნინა მაჯაგალაძე. ფიზიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის გამგე, ბ.აკად.დოქ., ივანე კობაიძე, ლაბორანტები ბ.მ.აკად.დ. მელიცა სვანიძე და ბ.აკად.დ. ნინო არჩვაძე, სადოქტორო პროგრამა ნეირობიოლოგია/ქცევის ნეირომეცნიერებები დოქტორანტები: ცირა კაპანაძე, ზაზა ბერუაშვილი, მარიამ ქურასბედიანი.

III.1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
(ეხება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	-	-	-
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

III.2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	-	-	-	-

დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

III. 4.

	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	გრანტი FR/617/7-270/13 ქართული ენდემური ყურძნის ჯიშის „საფერავის“ ფლავონოიდების გავლენა ვირთაგვებში კაინის მჟავას ეპილეფსიური სტატუსით განპირობებულ თავის ტვინის ფუნქციათა დარღვევებზე (ბიოლოგია, ნეირობიოლოგია/ქცევის ნეირომეცნიერებები).	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ნანული დორეული	ნანული დორეული, მანანა ჩიქოვანი, ბუციკო ჩხარტიშვილი, ბესარიონ ფარცვანია, მარიამ ქურასბედიანი, ეკატერინე მითაიშვილი, მარინე დავითაშვილი, როზა ბუკია, მაგდა ალანია, ზურაბ ქუჩუკაშვილი

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

მოცემულ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა პროექტით გათვალისწინებული შემდეგი სამუშაოები:

1. შევისწავლეთ საფერავის ფლავონოიდების გავლენა კაინის მჟავას ეპილეფსიური სტატუსით (კმ-ეს) განპირობებულ ქცევით დარღვევებზე ღია ველში, T-ლაბირინთსა და პასიური განრიდების ტესტში. T-ლაბირინთში, სადაც ვსწავლობდით ჰიპოკამპთან დაკავშირებულ სივრცით მეხსიერებასთეთრი ლაბორატორიული ვირთაგვებში, გამოვლინდა დასწავლის ტესტის გაუმჯობესება: საფერავის ფლავონოიდებით ნაკვებ ვირთაგვებში, კმ-ეს ცხოველებთან შედარებით, სტატისტიკურად სარწმუნოდ გაიზარდა (P<0.0001) სწორი რეაქციების რაოდენობა. ღია ველისა და პასიური განრიდების ტესტის მონაცემების მიხედვით კმ-ეს ვირთაგვებში აღინიშნა დარღვევები მოტორულ აქტივობასა და ემოციური სტატუსის მაჩვენებლებში, კერძოდ გაიზარდა მოტორული აქტივობა და შემცირდა გრუმინგების რაოდენობა/ხანგრძლივობა, დაირღვა თავდაცვითი ქცევაც, რაც გამოიხატა ელექტროფიცირებულ კაბინაში ეპილეფსიური სტატუსის მქონე ცხოველების შესვლის სიხშირის მომატებით. აღნიშნულ ცვლილებებზე საფერავის ფლავონოიდებით კვების ეფექტების შეფასებისას აღმოჩნდა, რომ საფერავის ფლავონოიდებს დადებითი გავლენა აქვს ემოციური სტატუსის კორექციის მხრივაც, თუმცა ის ვერ ახდენდა ეპილეფსიით განპირობებული თავდაცვითი ქცევის დარღვევის კორექციას. ვირთაგვებში საფერავის ფლავონოიდების იზოლირებული ადმინისტრაცია თავად იწვევდა ცვლილებებს თავდაცვით ქცევაში, რაც შეიძლება საფერავის ფლავონოიდების ზოგადი დამამშვიდებელი მოქმედებითა და მტკივნეული გაღიზიანების მიმართ ზღურბლის გაზრდით აიხსნას. საფერავის ფლავონოიდების ფონზე ვირთაგვებში აღინიშნა ვერტიკალური დგომებისა და კვადრატების გადაკვეთის რაოდენობის შემცირება. ასევე სტატისტიკურად სარწმუნოდ შემცირდა გრუმინგების ხანგრძლივობა და რაოდენობა (P<0.05).

2. შევისწავლეთ საფერავის ფლავონოიდების გავლენა კმ-ეს-ით განპირობებულ მორფოლოგიურ ცვლილებებზე ჰიპოკამპში.

საფერავის ფლავონოიდებით კმ-ეს-ის ვირთაგვების 8დღიანი (25მგ/კგ-დღიური დოზა) კვების ეფექტები შევაფასეთ მორფოლოგიურ ექსპერიმენტებში. ეპილეფსიის სტატუსი სხვადასხვა ხარისხით გამოხატულ სტრუქტურულ ცვლილებებს იწვევს ჰიპოკამპის CA1 და CA3 ველებსა და დაკბილული ფასციის გარეთა და შიგნითა სეგმენტებში. ცვლილებების ინტენსივობა როსტრო-კაუდალური მიმართულებით მატულობს. ამასთან, მარჯვენა ჰიპოკამპში ის უფრო ინტენსიურადაა გამოხატული, ვიდრე მარცხენაში. სტატისტიკურად სარწმუნო ცვლილებები აღინიშნა ჰიპოკამპის ცენტრალურ და კაუდალურ სეგმენტებში და მთლიანად დაკბილულ ფასციაში.

საფერავის ფლავონოიდებით ნაკვები ვირთაგვების ჰიპოკამპისა და დაკბილული ფასციის მორფოლოგიურმა ანალიზმა აჩვენა, რომ კაინის მჟავით ინიცირებული ეპილეპტოგენეზის პროცესში სტრუქტურული დეგენერაციები აღარ ვლინდება, საფერავის ფლავონოიდები იცავდა ტვინს ეპილეფსიით გამოწვეული ნეიროდეგენერაციისაგან. საფერავის ფლავონოიდებით კვების დადებითი ეფექტები უკეთესადაა გამოხატული როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა ჰიპოკამპის CA1 ველის ცენტრალურ და კაუდალურ უბნებში, ამასთან ფლავონოიდებით კვება იწვევდა როგორც ეპილეფსიით განპირობებული დარღვევების პრევენციას, ასევე აღინიშნა ამ უბნებში საკონტროლო ცხოველებთან შედარებით ნეირონთა საერთო რაოდენობის სტატისტიკურად სარწმუნო მატებაც, რაც შესაძლებელია განპირობებული იყოს კაინის მჟავით ჰიპოკამპის დაკბილულ ფასციაში ნეიროგენეზის პროცესის სტიმულაციით და საფერავის ფლავონოიდებით ამ სტიმულირებული პროცესის აქტივაციით.

3. შევაფასეთ საფერავის ფლავონოიდების გავლენა კმ-ეს-ით განპირობებულ ელექტროფიზიოლოგიურ ცვლილებებზე ჰიპოკამპში.

კმ-ეს-ით ვირთაგვებში განვითარებულ ელექტროფიზიოლოგიურ ცვლილებებზე საფერავის ფლავონოიდების ეფექტების შეფასების მიზნით, კვლევა მიმდინარეობდა ცხოველების სამ ჯგუფში: 1). ინტაქტური ვირთაგვები, რომელსაც უკეთდება ინექცია ფიზიოლოგიური ხსნარის და 8 დღის განმავლობაში იკვებება ფიზიოლოგიურ ხსნარში დასველებული ბურბუშელით; 2). კმ-ეს ცხოველები (კაინის მჟავას 15მგ/კგ დოზა ერთჯერადი ინტრაპერიტონეალური ინექცია), რომელიც იკვებებიან ფიზიოლოგიურ ხსნარში დასველებული ბურბუშელით და 3). კმ-ეს ცხოველები, რომელნიც იკვებებიან საფერავის ფლავონოიდების ხსნარში დასველებული ბურბუშელით (8დღე, 25მგ/კგ). წინასწარი მონაცემებით კმ-ეს იწვევს დორზალური ჰიპოკამპის CA-1 ველში ინტრაჰიპოკამპური მაღალსიხშიროვანი სტიმულაციით გამოწვეული ეპილეფსიური განმუხტვების გენერაციის ზღურბლის შემცირებას. ასევე, აღინიშნა გამოწვეული განმუხტვების ხანგრძლივობის გაზრა, თუმცა ცვლილება არაა სტატისტიკურად სარწმუნო. წინასწარი მონაცემებით საფერავის ფლავონოიდებით კვება ზრდის მაღალსიხშიროვანი სტიმულაციით გამოწვეული ეპილეფტიფორმული განმუხტვების ზღურბლს, აძლიერებს შეკავების პროცესებს, ამასთან საფერავით ნაკვები ვირთაგვების ჰიპოკამპიდან აღრიცხული სპონტანური აქტივობა ხასიათდება უფრო დაბალამპლიტუდური დაბალსიხშიროვანი განმუხტვებით კმ-ეს-ით ცხოველებთან შედარებით, სადაც სპონტანური განმუხტვები მაღალსიხშიროვანი და მაღალამპლიტუდურია (მიმდინარეობს მონაცემთა დაგროვება და მათი ანალიზი).

4. განხორციელდა საფერავის ფლავონოიდების ფონზე კმ-ეს–ის გამოწვევის ზღურბლზე დაკვირვება.

ტემპორალური წილის ეპილეფსიის ცხოველური მოდელის შესაქმნელად ვიყენებდით ფარმაკოლოგიურ მიდგომას: კაინის მჟავას ერთჯერადი ინტრაპერიტონული ინექცია (15 მგ/კგ). აღნიშნული ინექციიდან 5-10 წთ-ის შემდეგ ვირთაგვებში იწყებოდა ეპილეფსიური შეტევების აღმოცენება. ეპილეფსიური სტატუსის ჩამოყალიბება აღინიშნებოდა ვირთაგვების 70%-ში, დაახლოებით 30% იყო ლეტალური გამოსავალი. საფერავის ფლავონოიდებით ნაკვებ ვირთაგვებში ეპილეფსიური სტატუსის ჩამოსაყალიბებლად კაინის მჟავას იგივე დოზა ნაკლებ ეფექტურობას ავლენდა. შესწავლილ ცხოველთა დაახლოებით 20%-ში აღნიშნული დოზა არ იწვევდა ეპილეფსიურ სტატუსს, 20%-მდე შემცირდა ლეტალური ეფექტებიც.

5. შევაფასეთ საფერავის ფლავონოიდებით ვირთაგვების ადრეული პოსტნატალური კვების გავლენა ვირთაგვებში კმ-ეს-ით განპირობებულ მეხსიერებისა და ქცევით დარღვევებზე.

კაინის მჟავას ეპილეფსიური სტატუსის ცხოველურ მოდელებს ვქმნიდით 10-12 კვირის ვირთაგვებში. ვირთაგვების ადრეული პოსტნატალური კვებისათვის შევარჩიეთ მე-7-მე-15 დღის პერიოდი ანუ დაბადებიდან მეორე კვირა. ცნობილია, რომ აღნიშნული პერიოდი ხასიათდება ძირითადი ძვრებით მეხსიერების მექანიზმების ფორმირებაში. ვინაიდან მოცემულ პერიოდში ვირთაგვები ძირითადად იკვებებიან დედის რძით და საფერავის ფლავონოიდების როგორც საკვები დანამატის მიღება, მათთვის შეუძლებელი იყო, შევიმუშავეთ კვების ორი მიდგომა: 1.) ვკვებავდით დედას, ცნობილია, რომ ფლავონოიდები გადადის რძეში და დედის რძით შესაძლებელია მოხვდეს ადრეულ პოსტნატალში შვილ ვირთაგვებშიც; და 2.) პიპეტის საშუალებით, შეგვყავდა უშუალოდ 2 კვირის ასაკის (P7-P15) ვირთაგვებში. რადგან პირველი მიდგომის შემთხვევაში ძნელი განსასაზღვრია დედის რძით ვირთაგვას მიერ მიღებული ფლავონოიდების რაოდენობა, მეორე მიდგომა უფრო ეფექტურად გვესახება, თუმცა წინასწარი კვლევებით ვაჩვენეთ, რომ დედა ვირთაგვის ფლავონოიდებით კვება დადებითად მოქმედებს შვილი ვირთაგვების დასწავლის მაჩვენებლებზე: მათივე თანატოლი საკონტროლო ვირთაგვების დასწავლის დინამიკასთან შედარებით ისინი უფრო სწრაფი დასწავლით ხასიათდებოდნენ T-ს მაგვარ ლაბირინთში. გრძელდება ექსპერიმენტები აღნიშნული მიმართულებით მონაცემთა დაგროვებისა და ანალიზის მიზნით.

	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	გრანტი - FR/334/7-272/13 საქართველოში გავრცელებული რამდენიმე სახეობის ხმელეთის მუცელფეხიანი მოლუსკების სტატოცისტის ინერციული მასის კვლევა ცხოველის ზრდის და განვითარების პროცესში. (ბიოლოგია, ნეირომორფოლოგია)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	როზა ბუკია	გივი გორგილძე, ერა კალანდარიშვილი, მარინე დავითაშვილი, ანასტასია თაქთაქიშვილი, მარიამ ქურასბედიანი, ნინო გელაშვილი, წინა მაჯაგალაძე.

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

სისტემაში გრავირეცეპტორი-ინერციული მასა (ნებისმიერი წონასწორობის ორგანოს ძირითადი ელემენტები) უკანასკნელი წარმოადგენს სიმძიმის ძალის ზემოქმედების პირველ რგოლს. ინერციული მასა მიეკუთვნება ბიომინერალს და ცხოველის წონასწორობის ორგანოში წარმოდგენილია ცალკეული, საკმაოდ დიდი ზომის სტატოლიტებით ან მრავალრიცხოვანი და მნიშვნელოვნად პატარა ზომის სტატოკონიებით.მუცელფეხიანი მოლუსკების წონასწორობის ორგანო- სტატოცისტი წარმოადგენს ხერხემლიანი ცხოველების აკუსტიკურ-ვესტიბულური სისტემის ანალოგს. მათი დახმარებით ხორციელდება სხეულის მდგომარეობის და კომპენსატორული რეფლექსები, სივრცეში ორიენტაცია. სტატოცისტის მგრძნობიარე უჯრედები, ე. წ. სტატო – ანუ გრავირეცეპტორები, რეაგირებენ როგორც სივრცეში სხეულის მდგომარეობის შეცვლაზე, ისე ვიბრაციულ და ბგერით სტიმულებზე. ამ ცხოველების სივრცეში ორიენტაცია წარმოადგენს სტატოცისტის განსაკუთრებულ ფუნქციას, რომელიც ვლინდება ე. წ. უარყოფითი გეოტაქსისით.

კვლევის მიზანია წონასწორობის ორგანოს ინერციული მასის პოსტნატალური ფორმირების ზოგადი პრინციპების გამოვლინება და შედარების მეთოდით მათი სახეობრივი თავისებურებების დადგენა სხვადასხვა სისტემატიკური ჯგუფის, ამავე დროს სხვადასხვა საბინადრო გარემოსთან შეგუებული და ცხოვრების წესით ერთმანეთისაგან განსხვავებულ ლოკოკინებში.

ამ მიზნით 2015 წელს გრძელდებოდა ინერციული მასის ულტრასტრუქტურული კვლევა მასკანირებელი და ელექტრონული მიკროსკოპიის გამოყენებით ახალგაზრდა *H.lucorum*-is, *D. reticulatum* -ის და *P. rivulare*-ს სტატოცისტებში; ასევე მიმდინარეობდა სტატოცისტის უჯრედული ელემენტების მორფოლოგიური მახასიათებლების შესწავლა სინათლის მიკროსკოპულ დონეზე.

კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შედეგები:

კვლევა მიმდინარეობდა სინათლის მიკროსკოპის, მასკარინებელი და ტრანსმისიული ელექტრონული მიკროსკოპიის საშუალებით. შესწავლილი იქნა: 1. სტატოკონიების და სტატოლიტის ფორმა; 2. სტატოკონიების და სტატოლიტის აღნაგობა ახალგაზრდა *H.lucorum*-ის, *D. reticulatum*-ის და *P. rivulare*-ს სტატოცისტებში.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე ***H.lucorum*-ის** ყოველი სტატოკონიას ცენტრში მოთავსებულია ელექტრონულად მკვრივი ბირთვი, რომელიც გარემოცულია მორიგეობით განლაგებული ელექტრონულად ნათელი და ელექტრონულად მკვრივი კონცენტრული სტრუქტურებით. ამავე მეთოდით გამოვლინდა, რომ სტატოკონიების ზედაპირი დაფარულია ელექტრონულად მკვრივი ნემსისებური ნაწილაკებით. ზედაპირზე შეინიშნება აგრეთვე მსუბუქი ხორკლიანობა და 0.1–0.6 მკმ დიამეტრის ჩაღრმავებები.

***D.reticulatum*-ის** ინერციული მასის ულტრასტრუქტურული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი განსხვავება *H. Lucorum*-ის და *D.reticulatum*-ის ინერციული მასის შიდა სტრუქტურაში არ შეინიშნება. მორფომეტრული კვლევის შედეგებიდან კი გამოვლინდა შემდეგი ფაქტი: სტატოცისტის ღრუში განლაგებული სხვადასხვა ზომის სტატოკონიებიდან ჭარბობს პატარა ფრაქციის სტატოკონიები საშუალო და დიდ ფრაქციებთან შედარებით.

***P. rivulare*-ს** სტატოცისტის ინერციულ მასა წარმოდგენილია ერთი სტატოლიტით. სტატოლიტის შიდა სტრუქტურა შედგება ერთმანეთის მორიგეობით განლაგებული სხვადასხვა განივკვეთის და ოპტიკური სიმკვრივის მქონე ღრუებისაგან. მათი სიგანე მერყეობს 3-იდან 25 მკმ-მდე და რაოდენობა არ აღემატება რვას. რგოლები დაყოფილია სივრცეებად, რომელთა სიგანე 0,5 – 1,6 მკმ-ის ფარგლებშია. ყველა საექსპერიმენტო ცხოველებში მარჯვენა და მარცხენა სტატოლიტების ფორმა-ფაქტორი არც ერთ შემთხვევაში არ აღწევს ერთს. რაც იმას ნიშნავს, რომ ერთიდაიმავე ლოკოკინაში სტატოლიტების მორფომეტრული მაჩვენებლები ერთმანეთისაგან განსხვავებულია.

***H.lucorum*-ის** სტატოცისტის ღრუს ამომფენი ეპითელიუმი შედგება ორი ტიპის უჯრედებისაგან: მგრძნობიარე და საყრდენი.სტატოცისტის სერიულ ანათლებზე რეკონსტრუქციის მეთოდით, გამოვლენილია, რომ H. Lucorum-ის სტატოცისტის ამომფენი ეპითელიუმი წარმოადგენს სივრცობრივად მოწესრიგებული 13 უჯრედული ანსამბლისაგან შემდგარ კომპლექსს. ყოველ მათგანში ერთი მგრძნობიარე უჯრედი გარშემორტყმულია 5-6 სატელიტი უჯრედებით. სტატოცისტის წინა პოლუსზე განლაგებულ მგრძნობიარე უჯრედს, მისი სხეულიდან გამომავალი მრავალი ციტოპლაზმური მორჩების გამო, აქვს ვარსკვლავისებური ფორმა.

დანარჩენი 12 პოლიგონალური ფორმის უჯრედები ქმნიან სამ სარტყელს სტატოცისტის შიდა პერიმეტრზე: წინა, შუა ანუ ეკვატორული და უკანა. ყოველ სარტყელში განლაგებულია ოთხ-ოთხი უჯრედი. წინა და უკანა სარტყლის მგრძნობიარე უჯრედები ისე არიან გადანაცვლებული ეკვატორული სარტყლის უჯრედების მიმარ, რომ მთელი ეს უჯრედული კონსტრუქცია მოგვაგონებს აგურისებურ განლაგებას. მგრძნობიარე უჯრედების განლაგება სტატოცისტის შიდა ზედაპირზე ქმნის ამ წარმონაქმნის სტრუქტურულ პოლარიზაციას.

დადგენილია ყოველი მგრძნობიარე უჯრედის ტოპოგრაფია, ბირთვების ზომები და ფორმები, ბირთვაკების რაოდენობა, ციტოპლაზმის ვაკუოლიზაციის თავისებურებანი, მგრძნობიარე უჯრედების ურთიერთკავშირი სატელიტ საყრდენ უჯრედებთან. ყოველი მგრძნობიარე უჯრედის მორფომეტრული მაჩვენებლების და ტოპოგრაფიის მიხედვით შექმნილია სტატოცისტის კომპიუტერული გრაფიკა.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	გ.ქუთელია, ნ.დორეული	გამარჯვებულ სტუდენტთა სამეცნიერო შრომები	ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,	4გვ (გვ:240-243)

		75	თბილისი 2015	

ანოტაციები ქართულ ენაზე

ჰიპოკამპის ელექტრული სტიმულაციით გამოწვეულ ეპილეპტიფორმულ აქტივობაზე ორექსინისა და ვიგაბატრინის ეფექტების შედარებითი ანალიზი.

ეპილეფსია არის ცენტრალური ნერვული სისტემის ქრონიკული დაავადება, რომლის დროსაც თავის ტვინში ჩნდება არანორმალური აგზნების კერები. დაავადება შეიძლება განუვითარდეს ნებისმიერი სქესისა და ასაკის ადამიანს, გავრცელებულია მსოფლიოს მოსახლეობის 1%-ში ანუ დაახლოებით 65 მლნ ადამიანში. დღესდღეობით პრაქტიკაში არსებობს უამრავი ანტიეპილეფსიური პრეპარატი, თუმცა ამ მრავალრიცხოვანი პრეპარატების ფონზეც გვხვდება განუკურნებელი ეპილეფსიის ფორმები. არსებულ ანტიეპილეფსიურ პრეპარატებს გააჩნიათ ბევრი არასასურველი გვერდითი ეფექტი, რაც დამატებით პრობლემებს ქმნის აღნიშნული დაავადების მკურნალობაში, ამიტომ თანამედროვე მიდგომას ახალი ანტიეპილეფსიური პრეპარატების ძიებისას წარმოადგენს ენდოგენური ბიოლოგიურად აქტიური ანტიეპილეფსიური ფაქტორების იდენტიფიცირება და შემდეგ ზემოქმედება ამ ენდოგენურ ფაქტორებზე. ერთ-ერთი ბიოლოგიურად აქტიური ენდოგენური ნივთიერება ცნს-ში არის ორექსინი. ორექსინი ჰიპოთალამუსიდან გამოყვეს საკურაიმ და კოლეგებმა 1996 წელს. ორექსინი მონაწილეობს მრავალ ფიზიოლოგიურ პროცესში, მათ შორის ნაჩვენებია რომ ორექსინი დადებითად მოქმედებს ჰიპოკამპში მიმდინარე დასწავლა მეხსიერების მექანიზმებზე. ასევე დადგენილია, რომ ორექსინი ახდენს გლუტამატისა და გაემ-ის ნეიროტრანსმისიის მოდულაციას. ამ ნეირომედიატორთა შორის ბალანსის დარღვევა განიხილება წამყვან ფაქტორად ეპილეფსიის პათოგენეზში. თავად ჰიპოკამპი კი წარმოადგენს ეპილეფტოგენურ სტრუქტურას. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საინტერესოა ორექსინის ეფექტები ჰიპოკამპში მიმდინარე ეპილეპტიფორმულ განმუხტვებზე. ორექსინის როლზე ეპილეპტოგენეზთან მიმართებაში არის მწირი და ურთიერთსაწინააღმდეგო მონაცემები. ჩვენს ლაბორატორიაში ჩატარებულმა in vitro ექსპერიმენტებმა აჩვენა ორექსინის ანტიეპილეფსიური მოქმედება, კერძოდ ნაჩვენებია, რომ ორექსინი იწვევს ჰიპოკამპის ზალპური ნეირონების აქტივობის მოდულაციას, მრავლობითი განმუხტვების ბლოკირებასა და იზოლირებული NMDA პასუხების ხანგრძლივ დეპრესიას. სხვა მკვლევართა მონაცემების მიხედვით ორექსინი აძლიერებდა ქერქული წარმოშობის ეპილეპტიფორმულ განმუხტვებს და მოქმედებდა როგორც პროკონვულსანტი. ამ მიზეზების გამო ჩვენი მიზანი იყო in vivo ელექტროფიზიოლოგიურ ექსპერიმენტში შეგვეფასებინა ჰიპოკამპის ელექტრული სტიმულაციით გამოწვეულ ეპილეპტიფორმულ აქტივობაზე ორექსინის ეფექტები და ეს ეფექტები შეგვედარებინა ცნობილი ანტიეპილეფსიური პრეპარატის ვიგაბატრინისა და სედატიური პრეპარატის ზოპიკლონის ეფექტებთან. ჰიპოკამპის CA-1 ველში სტერეოტაქსულად ჩანერგილი მეტალის ელექტროდებით აღვრიცხავდით ინტრაჰიპოკამპური მაღალსიხშიროვანი სტიმულაციით გენერირებულ ეპილეფტიფორმულ აქტივობას. ვაღიზიანებდით უნილატერალურად სტიმულატორით MASTER8. გაღიზიანება ხდებოდა სწორკუთხა იმპულსების ჯერით, ინტენსივობა ვარირებდა 0-დან 8 ვოლტამდე. ორექსინის (80მკგ/8მკლ ფიზიოლოგიურ ხსნარში) და ვიგაბატრინის (TOCRIS 50მკგ გახსნილი 8მკლ ფიზიოლოგიურ ხსნარში) შეყვანა ხდებოდა ინტრავენტრიკულურად, ქემიტროდით (კოორდინატები: AP-0.3მმ, L-1.2მმ, H-3.5მმ); ზოპიკლონის (დოზა 20მგ/კგ) ინექცია ხდებოდა კუნთში. აღვრიცხავდით უნიპოლარულად, რისთვისაც ვიყენებდით რეგისტრაციისა და ანალიზის პროგრამას Chart5. ელექტროდების ინპლანტაციის დასრულებიდან 30წთ-ის შემდეგ ვიწყებდით მარჯვენა ან მარცხენა ჰიპოკამპის გაღიზიანების საპასუხოდ ეპილეპტიფორმული განმუხტვების ზღურბლის დადგენას. ვაღიზიანებდით 10წთ-იანი ინტერვალებით. ფასდებოდა ეპილეპტიფორმული განმუხტვების ხანგრძლივობა, განმუხტვების ამპლიტუდა და სიხშირე. ეპილეფსიური განმუხტვების ფონური მახასიათებლების შესაფასებლად ვიწერდით 60-100წთ-იან აქტივობის მონაკვეთს. მიღებული მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ 5-ივ სტიმულაცია ჰიპოკამპში საშუალოდ იწვევს 61წმ-იან ეპილეპტიფორმულ განმუხტვებს. არსებული მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოთ წინასწარი დასკვნები, რომ ორექსინ-ა არ იწვევს ეპილეპტიფორმული განმუხტვების ხანგრძლივობის მნიშვნელოვან ცვლილებას. ანტიეპილეფსიური პრეპარატი ვიგაბატრინი და სედატიური მოქმედების პრეპარატი ზოპიკლონი ორივე ამცირებს განმუხტვების ხანგრძლივობას. მიღებული შედეგების ანალიზიდან ჩანს, რომ ორექსინის ინტრავენტრიკულური შეყვანა ამცირებს ეპილეპტიფორმული განმუხტვების ამპლიტუდასა და სიხშირეს. ასევე მცირდება განმუხტვების ამპლიტუდა და სიხშირე

ვიგაბატრინისა და ზოპიკლონის ინექციისას. ამრიგად, ორექსინ ა-ს ეფექტების წინასწარმა ანალიზმა და შედარებამ ანტიეპილეფსიური პრეპარატების მოქმედებასთან გამოავლინა ორექსინის ანტიეპილეფსიური თვისებები.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
ანოტაციები ქართულ ენაზე					

II. 2. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	გ. გორგილაძე, რ. ბუკია, ა.თაქთაქიშვილი, ე.კალანდარიშვილი, ნ.გელაშვილი, მ.დავითაშვილი, ნ.მაჯაგალაძე	ხმელეთის ფილტვიანი ლოკოკინა *H. Lucorum*-ის სტატოცისტის უჯრედული ელემენტების სინათლის და ელექტრონული მიკროსკოპია.	10(247)	Georgian Medical News, 2015	გვ.70-77
2.	ს. ცაგარელი, ნ.არჩვაძე, ო.თავდიშვილი	დაყოვნებული რეაქციების შეფასება კლასტერ ანალიზის მეთოდის		Journal of Behavioral and Brain Science (მიღებულია დასაბეჭდად)	

		გამოყენებით ვირთაგვებში			

ანოტაციები ქართულ ენაზე

ლოკოკინა *H. Lucorum*-ის სტატოცისტის უჯრედული ელემენტების სინათლის და ელექტრონული მიკროსკოპია

H. Lucorum სტატოცისტი სფერული ფორმის, წყვილი წარმონაქმნია, რომელიც მდებარეობს ხახისქვედა განგლიური კომპლექსის პედალური განგლიების დორსოლატერალურ ზედაპირზე. პარაფინიან და დახევრადსერიულ ანათლებზე რეკონსტრუქციის მეთოდით, ასევე მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპიის საშუალებით გამოვლენილია, რომ H. Lucorum-ის სტატოცისტის ამომფენი ეპითელიუმი წარმოადგენს სივრცობრივად მოწესრიგებული 13 უჯრედული ანსამბლისაგან შემდგარ კომპლექსს. ყოველ მათგანში ერთი მგრძნობიარე უჯრედი გარშემორტყმულია5-6 სატელიტი უჯრედით. სტატოცისტის წინა პოლუსზე განლაგებულ მგრძნობიარე უჯრედს, მისი სხეულიდან გამომავალი მრავალი ციტოპლაზმური მორჩების გამო, აქვს ვარსკვლავისებური ფორმა. დანარჩენი 12 პოლიგონალური ფორმის უჯრედები ქმნიან სამ სარტყელს სტატოცისტის შიდა პერიმეტრზე: წინა, შუა ანუ ეკვატორული და უკანა. ყოველ სარტყელში განლაგებულია ოთხ-ოთხი უჯრედი. წინა და უკანა სარტყლის მგრძნობიარე უჯრედები ისე არიან გადანაცვლებული ეკვატორული სარტყლის უჯრედების მიმარ, რომ მთელი ეს უჯრედული კონსტრუქცია მოგვაგონებს აგურისებურ განლაგებას. მგრძნობიარე უჯრედების განლაგება სტატოცისტის შიდა ზედაპირზე ქმნის ამ წარმონაქმნის სტრუქტურულ პოლარიზაციას.

დადგენილია ყოველი მგრძნობიარე უჯრედის ტოპოგრაფია, ბირთვების ზომები და ფორმები, ბირთვაკების რაოდენობა, ციტოპლაზმის ვაკუოლიზაციის თავისებურებანი, მგრძნობიარე უჯრედების ურთიერთკავშირი სატელიტ საყრდენ უჯრედებთან. ყოველი მგრძნობიარე უჯრედის მორფომეტრული მაჩვენებლების და ტოპოგრაფიის მიხედვით შექმნილია სტატოცისტის კომპიუტერული გრაფიკა.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.	ნანული დორეული	საფერავის ფლავონოიდები: ბიოქიმიური მახასიათებლები და ფიზიოლოგიური ეფექტები.	10 იანვარი, 2015. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტი. ივ. ბერიტაშვილის ფიზიოლოგთა საზოგადოების ყოველწლიური შეხვედრა.
2.	ნანული დორეული	საფერავის ფლავონოიდების როლი ჰიპოკამთან დაკავშირებული ფუნქციების რეგულაციაში.	თბილისი, 2015, 2-6 თებერვალი ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტი. მესამე საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.
3.	ნანული დორეული, ბუციკო ჩხარტიშვილი, მანანა ჩიქოვანი, ბესარიონ ფარცვანია	ორექსინ-A-ს გავლენა ეპილეფტიფორმულ აქტივობაზე თეთრი ლაბორატორიული ვირთაგვების ჰიპოკამპში	თბილისი, 2015, 2-6 თებერვალი. თსუ მესამე საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.
4.	მარიამი ქურასბედიანი, როზა ბუკია, ეკატერინე	საფერავის ფლავონოიდებით ვირთაგვების ადრეული	თბილისი, 2015, 2-6 თებერვალი. თსუ მესამე საფაკულტეტო

	მითაიშვილი, ნანული დორეული	პოსტნატალური კვება იწვევს სივრცითი მეხსიერების გაუმჯობესებასა და ნეიროგენეზის სტიმულაციას ჰიპოკამპის დაკბილულ ფასციაში	სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.
5.	სულხან ცაგარელი, ნინო არჩვაძე	ვირთაგვების დაყოვნებული რეაქციების პროგნოზირება მარკოვის ჯაჭვების გამოყენებით	თბილისი, 2015, 2-6 თებერვალი. თსუ მესამე საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.
6.	მაგდა ალანია	კვებითი ქცევის პატერნის ცენტრალური გენერატორის მოდულაციის თავისებურებანი მოდელ უხერხემლოთა წარმომადგენელში	თბილისი, 2015, 2-6 თებერვალი. თსუ მესამე საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.
7.	ნანული დორეული, მარიამ ქურასბედიანი, ეკატერინე მითაიშვილი, ბუციკო ჩხარტიშვილი, როზა ბუკია, მანანა ჩიქოვანი	საფერავის ფლავონოიდების აქტიური ფრაქცია ვირთაგვების თავის ტვინს იცავს კაინის მჟავას ეპილეფსიური სტატუსით გამოწვეული დარღვევებისგან.	ბაკურიანი, მედიკოსთა XXXVII საერთაშორისო სკოლა-კონფერენცია “ბაკურიანი - 2015” კლინიკური და ექსპერიმენტული მედიცინა. 2015 წლის 21 თებერვალი 1 მარტი
8.	მარიამ ქურასბედიანი, ნანული დორეული	საფერავის ფლავონოიდებით ვირთაგვების კვება იწვევს ეპილეფტოგენეზისათვის დამახასიათებელი ქცევითი და მორფოლოგიური ცვლილებების პრევენციას.	თბილისი, 2015. 15-16 ივნისი. VII რეგიონთაშორისო სტუდენტური კონფერენცია.
9.	მაგდა ალანია	გარე მოდულატორული ნეირონების როლი მსგავსი კვებითი ქცევის პატერნების კონტროლში მოდელ უხერხემლოთა წარმომადგენლებში.	თბილისი. თსუ, STEM Workshop on Nanotechnology and Environmental Sciences, Tbilisi, Georgia, Sep. 4-6, 2015
10.	ნანული დორეული, მარიამ ქურასბედიანი, როზა ბუკია, მანანა ჩიქოვანი, ბუციკო ჩხარტიშვილი, ეკატერინე მითაიშვილი, ზაზა ბერუაშვილი, ბესარიონ ფარცვანია	საფერავის ფლავონოიდების როლი ჰიპოკამპთან დაკავშირებული ფუნქციების რეგულაციაში	თბილისი. თსუ, STEM Workshop on Nanotechnology and Environmental Sciences, Tbilisi, Georgia, Sep. 4-6, 2015
11.	ნანული დორეული, მარიამ ქურასბედიანი, ბუციკო ჩხარტიშვილი,	ორექსინის ეფექტები ეპილეფტიფორმულ აქტივობაზე ჰიპოკამპში.	თბილისი. თსუ, STEM Workshop on Nanotechnology and Environmental Sciences, Tbilisi, Georgia, Sep. 4-6, 2015

12.	მანანა ჩიქოვანი, გია ქუთელია, ცირა კაპანაძე, მაგდა ალანია, ბესარიონ ფარცვანია ნანული დორეული	ენდოგენური მოდულატორების როლი ჰიპოკამპთან დაკავშირებული ფუნქციების რეგულაციაში	თელავი, იაკობ გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სამეცნიერო კონფერენცია. 23-25 ოქტომბერი, 2015 .
13.	ნ. დორეული, მ. ქურასბედიანი, ბ. ჩხარტიშვილი, მ. ჩიქოვანი, რ. ბუკია, ბ. ფარცვანია, ე. მითაიშვილი	საფერავის ფლავონოიდებით ვირთაგვების წინასწარი კვების გავლენა ჰიპოკამპის CA-1 ველის ელექტროფიზიოლოგიურ მახასიათებლებსა და BrdU-პოზიტიური უჯრედების რაოდენობაზე დაკბილულ ფასციაში.	თბილისი, 16 დეკემბერი „ნეირობიოლოგიის აქტუალური საკითხები-2015“.
14.	გია ქუთელია, ნანული დორეული	ორექსინ-A-ს ქერქული აპლიკაციის გავლენა ინტრაჰიპოკამპური მაღალსიხშიროვანი სტიმულაციით გამოწვეულ ეპილეფტი-ფორმულ აქტივობაზე ვირთაგვებში.	თბილისი, 16 დეკემბერი „ნეირობიოლოგიის აქტუალური საკითხები-2015.“
15.	მაგდა ალანია	ნერვული სისტემის ევოლუციის თანამედროვე ასპექტები.	თბილისი, 16 დეკემბერი „ნეირობიოლოგიის აქტუალური საკითხები-2015“.

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

საფერავის ფლავონოიდების როლი ჰიპოკამპთან დაკავშირებული ფუნქციების რეგულაციაში

ნანული დორეული

ფლავონოიდები და მისი მსგავსი ფენოლური ნაერთები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანის კვების რაციონში. ფლავონოიდები ადვილად გადიან ჰემატოენცეფალურ ბარიერს და აქვთ თავის ტვინის სტრუქტურებში აკუმულაციის უნარი. ძლიერი ანტიოქსიდანტური და თავისუფალი რადიკალების შებოჭვის უნარის გამო, ფლავონოიდები დადებითად მოქმედებენ ტვინის პათოლოგიებსა და ასაკთან დაკავშირებული დარღვევებზე. აღნიშნული კვლევის ინტერესს წარმოადგენდა ქართული ენდემური ყურძნის ჯიშიდან („საფერავი“) გამოყოფილი ფლავონოიდების ბიოქიმიური დახასიათება, ფიზიოლოგიური ეფექტების შესწავლა და მათი მოქმედების ნატიფი მექანიზმების კვლევა. მოდიფიცირებული ზაპრომეტოვის მეთოდის გამოყენებით განხორციელდა საფერავიდან ფლავონოიდებით მდიდარი ფრაქციის გამოყოფა და ბიოქიმიური დახასიათება. სპექტროფოტომეტრული და ქრომატოგრაფიული მეთოდების გამოყენებით გამოვლინდა საფერავის ფლავონოიდების (სფ) მრავალკომპონენტიანი ფენოლური შემცველობა და ანტიოქსიდანტური შესაძლებლობები. ქცევით ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ სფ-ით ზრდასრული ვირთაგვების (28-32 კვირის ასაკი) წინასწარი კვება (25მგ/კგ დღეში, 5 დღე) იწვევს სივრცითი მეხსიერების ასაკთან დაკავშირებული დარღვევის კორექციას. სფ ეფექტური აღმოჩნდა ვირთაგვებში ქოლინოდეფიციტით განპირობებული სივრცითი მეხსიერების დარღვევის კორექციის თვალსაზრისითაც. სფ-ის ეფექტების შედარებამ ცნობილი ანტიოქსიდანტების: კვერცეტინისა (50მგ/კგ) და კატეხინის (25მგ/კგ) ეფექტებთან, გამოავლინა მისი უფრო მაღალი ანტიამნეზიური პოტენცია სივრცითი მეხსიერების ტესტში. სფ დადებითად მოქმედებდა კაინის მჟავას ეპილეფსიური სტატუსით გამოწვეულ მესხიერების დარღვევაზე და იცავდა თავის ტვინის სტრუქტურებს

(ჰიპოკამპურ ფორმაციას) ეპილეფტოგენეზით განპირობებული ნეირონების კვდომისგან. სფ-ით ვირთაგვების ადრეული პოსტნატალური კვება დადებითად მოქმედებდა დასწავლა/მეხსიერების პროცესზე, რაც კორელაციაში აღმოჩნდა ჰიპოკამპის პოსტნატალური განვითარების დინამიკის ცვლილებასა და Brdu (5-bromo-2-deoxyuridine)-პოზიტიური ნეირონების რაოდენობის ზრდასთან ჰიპოკამპის დაკბილულ ფასციაში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ საფერავის ყურძნის ჯიშებიდან გამოყოფილი ფლავონოიდები ზრდის ვირთაგვას თავის ტვინის ანტიოქსიდანტურ შესაძლებლობებს, დადებითად მოქმედებს ჰიპოკამპთან დაკავშირებულ პლასტიკურ პროცესებზე და იწვევს ნეიროგენეზის სტიმულაციას ჰიპოკამპის დაკბილულ ფასციაში. კვლევა შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტების (GNSF- 1- 6/89; FR/617/7-270/13) ფარგლებში.

ორექსინ-A-ს გავლენა ეპილეფტიფორმულ აქტივობაზე თეთრი ლაბორატორიული ვირთაგვების ჰიპოკამპში

ავტორი: ნანული დორეული
თანაავტორები: ბუციკო ჩხარტიშვილი, მანანა ჩიქოვანი, ბესარიონ ფარცვანია

ეპილეფსია ქრონიკული ნევროლოგიური დაავადებაა, რომელიც მსოფლიო მოსახლეობის 1%-ში გვხვდება. პროგრესირებადი სპონტანური განმეორებითი ეპილეფსიური შეტევები იწვევს ჰიპოკამპის ნეირონების კვდომასა და კოგნიტური/ფსიქიკური პროცესების დარღვევებს. ანტიეპილეფსიური საშუალებებით რეგულარული მკურნალობა გარკვეულწილად უზრუნველყოფს დაავადების კონტროლს, თუმცა ტემპორალური წილის ეპილეფსიის დაახლოებით 35% რეზისტენტული ტიპისაა. ეპილეფსიის მკურნალობის სტრატეგიაში მნიშვნელოვანია ამ დაავადების ენდოგენური მოდულატორების როლის განსაზღვრა. კარგადაა ცნობილი ბიოგენური ამინების როლი ეპილეფსიის ინჰიბირებაში. აღნიშნული სისტემების ფუნქციონირება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული თავის ტვინის ორექსინერგული სისტემის აქტივობაზე. ორექსინერგული ნეირონები, რომელთა ექსპრესია აღნიშნულია ლატერალურ ჰიპოთალამუსში, ფართო პროექციებს იძლევა მთელს თავის ტვინში და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტვინის ნორმალურ თუ პათოფიზიოლოგიურ პროცესებში. ცნობილია ორექსინერგული სისტემის როლი ჰიპოკამპში მიმდინარე პლასტიკურ პროცესებში, თუმცა არის აზრთა სხვადასხვაობა მისი მონაწილეობის შესახებ ეპილეფსიის პათოგენეზში. მოცემული კვლევის ინტერესს წარმოადგენდა შეგვესწავლა ორექსინი-A-ს ეფექტები ფარმაკოლოგიურად და ელექტრული სტიმულაციით გამოწვეულ ეპილეფტიფორმულ აქტივობაზე. In vitro ექსპერიმენტებში ორექსინი-A-ს ეფექტები შეფასდა ბიკუკულინით განპირობებულ ველის პოტენციალის მრავლობით განმუხტვებზე, CA-1 ველში რეგისტრირებულ იზოლირებულ NMDA პასუხებსა და CA-3 ველში ზალპური ნეირონების სპონტანური აქტივობის პატერნზე. In vivo ცდებში შევისწავლეთ ორექსინი-A-ს როლი ჰიპოკამპის მაღალსიხშიროვანი ელექტრული სტიმულაციით ინდუცირებულ ეპილეფტიფორმულ აქტივობაზე. მიღებული შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ ორექსინი-A იწვევს CA-1 ველში გაემ-ის ბლოკატორებით განპირობებული ეპილეფტიფორმული აქტივობის დათრგუნვას, განაპირობებს იზოლირებული NMDA პასუხების ხანგრძლივ დეპრესიას და ჰიპოკამპის CA-3 ველის ზალპური ნეირონების განმუხტვების სიხშირის მოდულაციას. წინასწარი მონაცემებით In vivo ექსპერიმენტებში ორექინი-A (1ნმოლ, ნმკლ, i.c.v.) თრგუნავდა გამოწვეული ეპილეპტიფორმული განმუხტვების ამპლიტუდასა და სიხშირეს და არ ჰქონდა გავლენა განმუხტვების ხანგრძლივობაზე, რომელიც უფრო მგრძნობიარე აღმოჩნდა ანტიეპილეფსიური პრეპარატის ვიგაბატრინის (12მგ/კგ, i.p. ან 50მკგ:8მკლ, i.c.v) და ზოპიკლონის (არაბენზოდიაზეპინური ჰიპნოტიკი, 20მგ/კგ) მიმართ. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეპილეფსიურ აქტივობაზე ორექინ-A-ს აქვს ანტიეპილეფსიური ზემოქმედების ეფექტები.

საფერავის ფლავონოიდებით ვირთაგვების ადრეული პოსტნატალური კვება იწვევს სივრცითი მეხსიერების გაუმჯობესებასა და ნეიროგენეზის სტიმულაციას ჰიპოკამპის დაკბილულ ფასციაში

ავტორი: მარიამი ქურასბედიანი
თანაავტორები: როზა ბუკია, ეკატერინე მითაიშვილი, ნანული დორეული

ფლავონოიდები და მისი მსგავსი ფენოლური ნაერთები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანის კვების რაციონში. ისინი წარმოადგენენ ძლიერ ანტიოქსიდანტებს და ხასიათდებიან ცირკულაციაში მყოფი რეაქტიული ჟანგბადისა და აზოტის შებოჭვის უნარით. ჩვენი წინა ექსპერიმენტებით ნაჩვენებია, რომ საფერავის ფლავონოიდებით ზრდასრული ვირთაგვების კვება იწვევს ბუნებრივი სიბერით გამოწვეული

ჟანგვითი სტრესის კორექციას და სკოპოლამინის ამნეზიის მოდელის ვირთაგვებში აღადგენს ქოლინობლოკატორებით გამოწვეულ მეხსიერების დარღვევას. გამოითქვა მოსაზრება, რომ საფერავის ფლავონოიდებით კვება შესაძლოა ზემოქმედებას ახდენს მეხსიერების ნეიროტრანსმიტერული სისტემების პოსტნატალურ განვითარებაზე. აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით დაიგეგმა ქცევითი ექსპერიმენტები საფერავის ფლავონოიდებით ველური ხაზის თეთრი ლაბორატორიული ვირთაგვების ადრეული პოსტნატალური კვების ეფექტების შესაფასებლად. საფერავის ფლავონოიდებით ვირთაგვების კვება განხორციელდა პოსტნატალური განვითარების მე-7-მე-15 დღის პერიოდში, 25 მგ/კგ დღიური დოზით. ვირთაგვების ქცევითი პარამეტრების მონიტორინგი მიმდინარეობდა ღია ველის, T-ლაბირინთისა და პასიური განრიდების ტესტებში. მორფოლოგიურ ექსპერიმენტებში სივრცითი მეხსიერების სუბსტრატის - ჰიპოკამპის პოსტნატალურ განვითარებაზე საფერავის ფლავონოიდებით კვების ეფექტების შესაფასებლად შევისწავლეთ P8, P15, P21, P60 ასაკის ვირთაგვების ჰიპოკამპის ციტოარქიტექტონიკა. მორფოლოგიური კვლევა განხორციელდა თეთრი ვირთაგვების ჰიპოკამპის სხვადასხვა ველში: CA1, CA3 და დაკბილული ფასციის შიგნითა და გარეთა უბნებში. დაკბილულ ფასციაში ნეიროგენეზის პროცესზე საფერავის ფლავონოიდების გავლენის შესაფასებლად გამოვიყენეთ BrdU (5-bromo-2-deoxyuridine, თიმიდინის ანალოგი) მონიშვნები. ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ საფერავის ფლავონოიდებით ადრეული პოსტნატალური კვება დადებითად მოქმედებს დასწავლის მექანიზმებზე და სტატისტიკურად სარწმუნოდ ზრდის BrdU-პოზიტიური უჯრედების რაოდენობას ჰიპოკამპის დაკბილულ ფასციაში.

ვირთაგვების დაყოვნებული რეაქციების პროგნოზირება მარკოვის ჯაჭვების გამოყენებით
სულხან ცაგარელი, ნინო არჩვაძე

ჩატარებული კვლევა მიზნად ისახავდა თეთრი ვირთაგვების მიერ საკვების კომპლექსური აღქმის შესწავლას პირდაპირი დაყოვნებული რეაქციების ტესტირების გზით, ორი საკვებურის პირობებში და მარკოვის ჯაჭვების თეორიის შედეგების გამოყენებას დაყოვნებული რეაქციების აღწერისათვის. ექსპერიმენტი ტარდებოდა პირდაპირი დაყოვნებულ რეაქციათა ტესტირების მოდიფიცირებული მეთოდის გამოყენებით. შემოთავაზებული მიდგომა საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ საკვებმოპოვებითი ქცევის განხორციელების პროცესს, შევაფასოთ დასწავლის პროცესის მიმდინარეობა და დავადგინოთ დაყოვნების მაქსიმუმი. მეთოდი ოპტიმალური ქცევითი ალგორითმის დადგენის საშუალებას იძლევა, რომლის გამოყენებითაც ცხოველი მინიმალური შეცდომის დაშვების გზით მაქსიმალურად ახდენს საკვების მოპოვებას. ქცევის მათემატიკური ანალიზის საფუძველზე შემოთავაზებულია რეკურენტული განტოლება. სწორედ ამ ტოლობის საშუალებითაა შესაძლებელი ექსპერიმენტის პროგნოზირება. აღსანიშნავია ის ფატი, რომ თეორიულად გამოთვლილი რეაქციათა შესაძლო ხდომილებების ალბათობები ემთხვევა ექსპერიმენტულ მონაცემებს. მიღებული შედეგები საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ შესაძლებელია მეთოდის ფართოდ გამოყენება ნეიროფიზიოლოგიურ კვლევებში.

კვებითი ქცევის პატერნის ცენტრალური გენერატორის მოდულაციის თავისებურებანი მოდელ უხერხემლოთა წარმომადგენელში
მაგდა ალანია

კვებითი ქცევის ნეირონული და მედიატორული საფუძვლები თითქმის დეტალურადაა შესწავლილი მუცელფეხიანი მოლუსკების წარმომადგენელ ტბორულაში. კვების პატერნის ცენტრალური გენერატორის ინტერნეირონები განლაგებულია ბუკალურ განგლიებში და მათ ნაწილს ახასიათებს ენდოგენური აქტივობა. ეს ინტერნეირონები პირველი რგოლია, რომელიც განსაზღვრავს კვებითი მოტონეირონების აქტივობას. თავად ცენტრალურ გენერატორზე უშუალო გავლენას ახდენს ე.წ. მოდულატორული ნეირონები, რომელთა ნაწილიც განლაგებულია როგორც ბუკალურ განგლიებში, ისე ტბორულას ხახისირგვლივი კვანძების სხვა წყვილებში. როგორც წესი, ეს უკანასკნელნი იძლევიან აქსონურ პროექციებს ბუკალურ განგლიებში. აღსანიშნავია, რომ ზოგ შემთხვევაში ადგილი აქვს თავად მოდულატორული ნეირონების აქტივობის მოდულაციას მაღალი რანგის ნეირონებიდან თუ ნეირონული ანსამბლებიდან. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს კვებითი გენერატორის პროექციული მოდულატორული ნეირონების ორი სიმეტრიული წყვილი: პლეურალური განგლიების პეპტიდერგული პლეურო-ბუკალური ნეირონები და ცერებრალური განგლიების სეროტონინერგული გიგანტური ცერებრალური ნეირონები. გაანალიზდა მათი კვებით გენერატორზე გავლენის კუთხით როგორც მსგავსი, ისე განმასხვავებელი ნიშან-

თვისებები. გამოითქვა ვარაუდი, რომ ამ ნეირონული წყვილების კვების მაკონტროლებელ ნეირონულ ცენტრებზე ინტეგრაციული მოქმედება შესაძლებელია განპირობებულია ძირითადად მოცულობითი გადაცემით.

საფერავის ფლავონოიდებით ვირთაგვების კვება იწვევს ეპილეფტოგენეზისათვის დამახასიათებელი ქცევითი და მორფოლოგიური ცვლილებების პრევენციას

მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა ქართული ენდემური ყურძნის ჯიშის საფერავის ფლავონოიდების ეფექტები კაინის მჟავას ეპილეფსიური სტატუსით (კმ-ეს) განპირობებულ მორფოლოგიურ და ქცევით დარღვევებზე. გამოვიყენეთ ტემპორალური წილის ეპილეფსიის კაინის მჟავას ცხოველური მოდელი. ვირთაგვების თავის ტვინში კმ-ეს-ით განპირობებულ ფუნქციურ და სტრუქტურულ დარღვევებზე საფერავის ფლავონოიდების ეფექტების შესასწავლად გამოვიყენეთ ქცევითი ექსპერიმენტები - ღია ველი, პასიური განრიდების ტესტი და T-ლაბირინთი, სადაც ერთის მხრივ განისაზღვრა კაინის მჟავას (15მგ/კგ) ერთჯერადი ადმინისტრაციით განპირობებული დარღვევები მოტორულ აქტივობაში, ემოციურ სტატუსსა და დასწავლა/მეხსიერების მაჩვენებლებში, ხოლო მეორეს მხრივ შევაფასეთ ამ დარღვევებზე საფერავის ფლავონოიდებით ვირთაგვების კვების გავლენა. მორფოლოგიურ ექსპერიმენტებში შევისწავლეთ კმ-ეს გამოწვეული სტრუქტურული ცვლილებები ჰიპოკამპის CA1/CA3 ველებსა და დაკბილულ ფასციაში და განვსაზღვრეთ ამ ცვლილებებზე საფერავის ფლავონოიდებით კვების ეფექტები.

კვლევის ობიექტად გამოყენებული იყო 60 დღიანი თეთრი ვირთაგვების სამი ჯგუფი: I-ჯგუფი, რომელშიც ინტრაპერიტონეალურად ერთჯერადად შეგვყავდა კაინის მჟავა; II-საკონტროლო ჯგუფი, რომელშიც ინტრაპერიტონეალურად შეგვყავდა ფიზიოლოგიური ხსნარის იგივე მოცულობა. III-ჯგუფი ვირთგვების, რომლებსაც კაინის მჟავის შეყვანის შემდეგ ვკვებავდით ქართული საფერავის ფლავონოიდით.

ქცევით ექსპერიმენტებში მიღებულ მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, რომ კაინის მჟავას ეპილეფსიური სტატუსი იწვევს გარკვეული ქცევითი პარამეტრების და ემოციური სტატუსის მაჩვენებლების სტატისტიკურად სარწმუნო ცვლილებებს, რაც გამოვლინდა ღია ველისა და პასიური განრიდების ტესტებით და გამოიხატა მოტორული აქტივობის გაზრდით, გრუმინგების რაოდენობა/ხანგრძლივობის, დეფეკაციის შემცირებით და ურინაციის სიხშირის მატებით. აღნიშნული ცვლილებები ასოცირებული იყო სივრცითი მეხსიერებისა და თავდაცვითი ქცევის დარღვევასთან. საფერავის ფლავონოიდებით 8 დღიანი კვება იწვევდა კაინის მჟავით განპირობებული დარღვევების კორექციას დასწავლის ტესტში. ემოციურ სტატუსში და მოტორულ აქტივობაში გამოვლენილ ცვლილებებზე საფერავის ფლავონოიდები ნაკლებ ეფექტურობას ავლენდა.

მორფოლოგიურ ექსპერიმენტებში შევაფასეთ სივრცითი მეხსიერების სუბსტრატში - ჰიპოკამპში კაინის მჟავით განპირობებული სტრუქტურული ცვლილებების ხარისხი და შევეცადეთ განგვესაზღვრა საფერავის ფლავონოიდებით კვების გავლენა აღნიშნულ ცვლილებებზე. მორფოლოგიური ანალიზი განხორციელდა თეთრი ვირთაგვების მარცხენა და მარჯვენა ჰიპოკამპის კრანიალური, ცენტრალური და კაუდალური უბნების CA1 და CA3 ველებსა და დაკბილული ფასციის გარეთა და შიგნითა სეგმენტებზე.

მიღებული მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ კაინის მჟავას ეპილეფსიით გამოწვეული დარღვევები ჰიპოკამპის CA-1/CA-3 ველებში სხვადასხვა ხარისხითაა გამოხატული. დარღვევების ხარისხი მატულობს როსტრო-კაუდალური მიმართულებით, უფრო მეტადაა გამოხატულია CA-3 ველში, ვიდრე CA-1 და მარჯვენა ჰიპოკამპში უფრო ინტენსიურია, ვიდრე მარცხენაში.

საფერავის ფლავონოიდები ეფექტური აღმოჩნდა ეპილეფტოგენეზით განპირობებული სტრუქტურული დარღვევების პრევენციის თვალსაზრისით. მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, რომ საფერავის ფლავონოიდებით ნაკვებ ვირთაგვების ჰიპოკამპში კაინის მჟავას ტოქსიკური მოქმედების შედეგი ნაკლებად არის გამოხატული. გვხვდება მხოლოდ ერთეული შემთხვევები ნეირონთა დეგენერაციის ნიშნებით. საფერავის ფლავონოიდებით ვირთაგვების კვება ჰიპოკამპის აღნიშნულ ველებს იცავს ეპილეფსიური სტატუსით გამოწვეული ნეირონთა კვდომისაგან. ამასთან, საფერავის ფლავონოიდებით კვება იწვევდა როგორც კაინის მჟავას ეპილეფსიით განპირობებული დარღვევების პრევენციას, ასევე აღინიშნა ამ უბნებში საკონტროლო ცხოველებთან მიმართებით ნეირონთა საერთო რაოდენობის სტატისტიკურად სარწმუნო მატებაც, რაც შესაძლებელია განპირობებული იყოს კაინის მჟავით ჰიპოკამპის დაკბილულ ფასციაში ნეიროგენეზის პროცესის სტიმულაციით და საფერავის ფლავონოიდებით ამ სტიმულირებული პროცესის აქტივაციით.

გარე მოდულატორული ნეირონების როლი კვებითი ქცევის მსგავსი პატერნების კონტროლში მოდელ უხერხემლოთა წარმომადგენლებში

მაგდა ალანია

მუცელფეხიანი მოლუსკების წარმომადგენელ ტბორულაში თითქმის დეტალურადაა შესწავლილი კვებითი ქცევის ნეირონული და მედიატორული საფუძვლები. კვების პატერნის ცენტრალური გენერატორის ინტერნეირონები განლაგებულია ბუკალურ განგლიებში და ისინი თავის მხრივ განიცდიან გავლენას ენდოგენური და ეგზოგენული მოდულატორული ნეირონების მხრიდან, რომელნიც შესაბამისად განლაგებულნი არიან სხვა ბუკალურ განგლიებში. უკანასკნელ პერიოდში განხორციელდა გარე მოდულატორული ინტერნეირონის ორი სიმეტრიული წყვილის- სეროტონინერგული Cerebral giant Cells (CGC) და პეპტიდერგული (FMRF-amide-ergic)Pleuro-to-Buccal (PlB) ნეირონების შესწავლა *Lymnaeastagnalis-ს* პლევრალურ განგლიაში. მოცემული ნაშრომის მიზანი იყო CGC და PlB ნეირონების აქტივობის შედარებითი ანალიზი. შედარებითმა ანალიზმა გამოავლინა CGC და PlB ნეირონების აქტივობაში მრავალი მსგავსება.

ენდოგენური მოდულატორების როლი ჰიპოკამპთან დაკავშირებული ფუნქციების რეგულაციაში

ნანული დორეული

ჰიპოკამპი თავის ტვინის ძირითადი ქერქული სტრუქტურაა. წარმოადგენს ლიმბური სისტემის ნაწილს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინფორმაციის ხანმოკლე მეხსიერებიდან ხანგრძლივ მეხსიერებაში კონსოლოდაციის პროცესში, ასევე სივრცით ნავიგაციაში. ჰიპოკამპში მიმდინარე პროცესები მასთან დაკავშირებული სტრუქტურების, მედიატორული სისტემების მხრიდან რეგულირდება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია განისაზღვროს ამ სისტემების ფუნქციონირების თავისებურებები ჰიპოკამპის დისფუნქციის დროს. კარგადაა შესწავლილი ადრენერგული, ჰისტამინერგული, სეროტონინერგული, ქოლინერგული სისტემების გავლენა ჰიპოკამპში მიმდინარე პროცესებზე. ჩვენი მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა ორექსინერგული სისტემის როლი ჰიპოკამპის ნორმალურ და პათოფიზიოლოგიურ აქტივობაში. *In vivo* და *in vitro* ელექტროფიზიოლოგიურ ექსპერიმენტში შეგვეფასებინა ორექსინის ეფექტები ჰიპოკამპში ფარმაკოლოგიური და ელექტრული სტიმულაციით გამოწვეულ ეპილეფტიფორმულ აქტივობაზე. ორექსინის ეფექტები შეგვედარებინა ცნობილი ანტიეპილეფსიური პრეპარატის ვიგაბატრინისა და არაბენზოდიაზეპინური ჰიპნოტიკის ზოპიკლონის ეფექტებთან. In vivo ექსპერიმენტების წინასწარი მონაცემების შედეგები: ორექსინ A (1ნმ) ინტრაცერებროვენტრიკულური ინექცია არ იწვევს ჰიპოკამპში ელექტრული სტიმულაციით გამოწვეული ეპილეპტიფორმული განმუხტვების ხანგრძლივობის ცვლილებას. ორექსინის ქერქული აპლიკაცია (5მკმ) ზრდიდა ელ. სტიმულაციით ეპილეფსიფორმული განმუხტვების გამოწვევის ზღურბლს ჰიპოკამპში. ორექსინის ინტრავენტრიკულური და ქერქული აპლიკაცია იწვევდა ეპილეპტიფორმული განმუხტვების ამპლიტუდური და სიხშიროვანი მაჩვენებლების შემცირებას. ზოგადი დასკვნა: ორექსინი-A-ს ვირთაგვების ჰიპოკამპში ფარმაკოლოგიურად და ელექტრული სტიმულაციით გამოწვეულ ეპილეპტიფორმულ აქტივობაზე აქვს დამთრგუნველი ზემოქმედების ეფექტები

ორექსინ-A-ს ქერქული აპლიკაციის გავლენა ინტრაჰიპოკამპური მაღალსიხშიროვანი სტიმულაციით გამოწვეულ ეპილეფტი-ფორმულ აქტივობაზე ვირთაგვებში

გია ქუთელია, ნანული დორეული

ეპილეპტოგენეზთან მიმართებით ორექსინის როლზე მწირი და ურთიერთსაწინააღმდეგო მონაცემებია; ჩვენს ლაბორატორიაში ჩატარებულმა *in vitro* ექსპერიმენტებმა გამოავლინა, რომ ორექსინი იწვევს ჰიპოკამპის ზალპური ნეირონების აქტივობის მოდულაციას, *in vitro* ეპილეფსიის მოდელში მრავლობითი განმუხტვების ბლოკირებას და იზოლირებული NMDA- პასუხების ხანგრძლივ დეპრესიას.

ორექსინA ინტრავენტრიკულური ინექცია თრგუნავს ჰიპოკამპში ელექტრული სტიმულაციით გამოწვეული ეპილეპტიფორმული განმუხტვების ამპლიტუდასა და სიხშირეს.

ექსპერიმენტის მიზანი: In vivo ელექტროფიზიოლოგიურ ექსპერიმენტში შეგვეფასებინა ჰიპოკამპის ელექტრული სტიმულაციით გამოწვეულ ეპილეფტიფორმულ აქტივობაზე ორექსინის ეფექტები. ორექსინის ქერქული აპლიკაციის ეფექტები შეგვედარებინა ინტრავენტრიკულური შეყვანის ეფექტებთან.

In vivo ექსპერიმენტების წინასწარი მონაცემების შედეგები:

ორექსინ-A (1ნმ) ინტრაცერებროვენტრიკულური ინექცია არ იწვევს ჰიპოკამპში ელექტრული

სტიმულაციით გამოწვეული ეპილეპტიფორმული განმუხტვების ხანგრძლივობის ცვლილებას. ორექსინის ქერქული აპლიკაცია (5მკმ) ზრდიდა ელ.სტიმულაციით ეპილეფსიფორმული განმუხტვების გამოწვევის ზღურბლს ჰიპოკამპში. ზოგადი დასკვნა: ორექსინის ინტრავენტრიკულური და ქერქული აპლიკაცია იწვევდა ეპილეპტიფორმული განმუხტვების ამპლიტუდური და სიხშირივანი მაჩვენებლების შემცირებას. ორექსინი-A-ს აქვს დამთრგუნველი ზემოქმედების ეფექტები ვირთაგვების ჰიპოკამპში ელექტრული სტიმულაციით გამოწვეულ ეპილეპტიფორმულ აქტივობაზე.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1			
მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე			

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1				
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

IV. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

იმუნოლოგიის და მიკრობიოლოგიის კათედრა

ხელმძღვანელი პროფესორი ნინო ფორაქიშვილი

პერსონალი:

ნუნუ მიცკევიჩი, ასოცირებული პროფესორი (კათედრის გამგის მოადგილე);
ნინო გაჩეჩილაძე, ასოცირებული პროფესორი;
ნინო ჭიკაძე, სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიის გამგე;
ქეთევან სიჭინავა, მასწავლებელი
თამარ ცერცვაძე, ლაბორანტი, გამდინარე ციტომეტრიის მთავარი ტექნოლოგი
მაია ხარიბეგაშვილი, ლაბორანტი-მიკრობიოლოგი

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის
დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
(ეხება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

IV. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

IV. 4.

	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულე-	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

	ბის მითითებით			
1.	ადაპტური იმუნური პასუხის ეპიგენეტიკური ინდუქცია და იმუნომოდულაცია თაგვის პროსტატის სიმსივნის მოდელში (სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი DI/43/8-335/13	გიორგი გურული (ვირჯინიის თანამეგობრობის უნივერსიტეტი), ნუნუ მიცკევიჩი (თანახელმძღანელი, თსუ)	გიორგი გურული, ნუნუ მიცკევიჩი, ეკატერინე გოლიაძე, ნინო ჭიკაძე, ეკატერინე ბოჭორიშვილი, თამარ ცერცვაძე, თამარ ქარსელაძე, ნატა ბაკურაძე, ბერიკა ბერიძე. გიორგი ბოჭორიშვილი

კვლევის მიზანი: (1) 5-აზაციტიდინის (5-აზაც) და ლენალიდომიდის გავლენის დადგენა/შესწავლა პროსტატის სიმსივნის უჯრედებზე და in vivo თაგვის მოდელზე. (2) 5- აზაციტოდინისა და ლენალიდომიდის კომბინირებული ეფექტის შესწავლა ანტიგენ მაპრეზენტირებელ უჯრედებზე.

ჰიპოთეზა: ჩვენი ჰიპოთეზა მდგომარეობს შემდეგში, რომ 5-აზაც და ლენალიდომიდი ერთობლივად მოქმედებს იმუნურ სისტემზე პროსტატის სიმსივნის მატარებელ თაგვებში მათი შეყვანის შემდეგ. თუკი დადასტურდება, რომ ეს ჰიპოთეზა სწორია, ამ ორი პრეპარატის კომბინაციით ჩატარდება კლინიკური კვლევები პროსტატის სიმსივნის შორს წასული ფორმის მქონე პაციენტებში.

ინოვაცია: არსებობს კვლევები 5 აზაც და ლენალიდომიდის ცალცალკე მოქმედების შესახებ, მათი კომბინირებული მოქმედების შესწავლა მკვრივი სტრუქტურის სიმსივნეების მკურნალობაში იშვიათია. ჩვენ ვერ ვნახეთ, მოხსენება მათი კომბინირებული მოქმედების შესახებ პროსტატის კიბოს შემთხვევაში. ასევე არსებობს კვლევები 5 აზაც და ლენალიდომიდის ცალცალკე ზემოქმედების შესახებ იმუნურ სისტემაზე, მაგრამ არ არსებობს კვლევები ამ ორი პრეპრატის გავლენის შესახებ დენდრიტულ უჯრედებზე. ამ მექანიზმების გამოვლენით ვიმედოვნებთ გამოვავლინოთ იმუნომოდულატორული მედიკამენტების გამოყენების უკეთესი კომბინაცია ჰორმონ-რეზისტენტული პროსტატის კიბოს მკურნალობაში.

იმუნომოდულატორული წამლები სულ უფრო და უფრო ხშირად გამოიყენება სხვადასხვა ტიპის სიმსივნეების სამკურნალოდ. საკმაოდ დიდი წარმატება იქნა მიღწეული ჰემატოლოგიური მალიგნიზაციის მკურნალობაში. აგრთვე, მატულობს მონაცემები მათი გამოყენებით მკვრივი კონსისტენციის მქონე სიმსივნეების და მათ შორის პროსტატის კიბოს წარმატებული მკურნალობის შესახებ. მუხედავად იმის, რომ კლინიკურ კვლევებში ნაჩვენებია იმუნომოდულატორული თერაპიით მიღწეული დადებითი შედეგები, იმუნური მექანიზმები რომლებიც საფუძვლად უდევს ამ შედეგებს არ არის სრულად შესწავლილი და გამოვლენილი. რადგან, კლინიკური კვლევებით ნაჩვენებია კომბინირებული თერაპიის უპირატესობა მონოთერაპიასთან შედარებით,

უფრო მეტად მნიშვნელოვანი ხდება შესწავლილ იქნეს თითოეული წამლის მოქმედება იმუნურ სისტემაზე და სამიზნე მალიგნიზაციაზე. მკურნლობის ახალი რეჟიმების გამოყენებით, შესაძლოა მოხერხდეს თერაპიის ეფექტურობის მაქსიმიზაცია და გვერდითი ეფექტების მინიმუმამდის შემცირება.

სიმსივნის იმუნოლოგიის შესახებ ცოდნის ზრდასთან ერთად, იზრდება იმუნოთერაპიის როლი მალიგნიზაციის მკურნალობაში. სათესლის კიბოს ანტიგენების (CTA) აღმოჩენა მნიშვნელოვანი ბიძგი გახდა როგორც ადაპტური, ასევე ადოპტური იმუნოთერაპიული მეთოდების შემდგომი შემუშავებისათვის. სათესლის კიბოს ანტიგენები ექსპრესირებულია ,,იმუნოლოგიურად პრივილეგირებულ ქსოვილებზე" და აქედან გამომდინერე აუტოლოგიური T უჯრედებს მათ მიმართ თანდაყოლილი ტოლერანტობა არ გააჩნიათ. ეს ანტიგენები იმუნოთერაპიის საუკეთესო სამიზნეს წარმოადგენს, ვინაიდან მათი ექსპრესია შეზღუდულია სხვა ქსოვილებზე და მომატებულია სპეციფიურად ზოგიერთ სიმსივნურ უჯრედებზე. CTA ანტიგენების ექსპრესია კონტროლდება ეპიგენეტიკურად გენის პრომოტორში CpG-უბნის მეთილირებით და მეზობელ ქრომატინში ჰისტონის აცეტილირებით. მაშასადამე, შესაძლებელია სიმსივნურ უჯრედებზე CTA-ის ექსპრესიის გაზრდა დნმ-ის მეთილირების ინჰიბიტორების მართვით


მიმდინარე კვლევა ფოკუსირებულია ორი პრეპარატის 5-აზაციტიდინის (5-აზაც) და ლენალიდომედის გავლენის შესწავლაზე. ნაჩვენებია, რომ 5- აზაც და მისი ანალოგები, დნმ-ის მეთილირების ინჰიბიტორები, ზრდიან იმუნური სისტემისთვის სიმსივნის წარდგენას სხვადასვა მექანიზმით, მათ შორის სათესლის კიბოს ანტიგენების გენების ექსპრესიის გაზრდით და დნმ-ის დემეთილირებით გამოწვეული პირდაპირი ციტოტოქსიური ზემოქმედებით სიმსივნურ უჯრედებზე. აგრეთვე ნაჩვენებია მათი გავლენა იმუნურ სისტემაზე, თუმცა, ამ ეფექტის ზუსტი მექანიზმი დღეისათვის არ არის ცნობილი . ლენალიდომიდი და მისი ანალოგები წარმოადგენენ თალიდომიდიდან მიღებულ სინთეზური ნაერთებს მაღალი ეფექტურობით და ნაკლები გვერდითი ნევროლოგიური ეფექტებით.

ასევე დადასტურებული იქნა, რომ ეს წამლები, პირდაპირ მაინჰიბირებელ ეფექტს ავლენს ანგიოგენეზსა და სიმსივნური უჯრედების პროლიფერაციაზე . როგორც ლენალიდომიდი ასევე 5–აზაციტიდინი გამოიყენება კომბინაციაში სხვა ქიმიოთერაპიულ საშუალებებთან ერთად პროსტატის კიბოს სამკურნალოდ და იძლევა სხვადასხვა შედეგს. ნაჩვენებია, რომ ლენალიდომიდის დამატება 5–აზაციტიდინით მკურნალობის დროს იძლევა თერაპიულ შედეგს ზოგიერთი ჰემატოლოგიური ავთვისებიანი დაავადებების შემთხვევაში კომბინირებული თერაპიის შედეგის განმაპირობებელი იდენტიფიცირებული მექანიზმები არ არის უშუალო კავშირში ჰემატოლოგიურ სიმსივნებთან და არ არსებობს მიზეზი, რის გამოც მათი კომბინირებული გამოყენება უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ჰემატოლოგიური ავთვისებიანი დაავადებებით. ამდენად, მათი გამოყენება შესაძლებელია სხვა მრავალი ორგანოს მკვრივი კონსისტენციის სიმსივნის სამკურნალოდაც. ჩვენი კვლევის შედეგები მიუთითებს ლენალიდომიდის და 5–აზაციტიდინის კომბინირებული გამოყენების შესაძლო სარგებელზე პროსტატის კიბოს მკურნალობაში და ხელს უწყობს ამ

მედიკამენტების იმუნურ სისტემაზე და სიმსივნურ უჯრედებზე ზემოქმედების შემდგომ შესწავლას თაგვის ექსპერიმენტული მოდელის

მიუხედავად იმისა რომ, ჩვენმა შედეგები შესაბამისობშია სხვა კვლევებს მიერ შემოთავაზებულ იმ აზრთან, რომ ლენალიდომიდი აძლიერებს დენდრიტულ უჯრედების პროლიფერაციას *in vitro* და მაღალი დოზა ტოქსიკურია თაგვის პროსტატის კიბოს უჯრედებისათვის, ეს შედეგები არ არის სტატისტიკურად სარწმუნო. რაც მიუთითებს იმაზე რომ, შემდგომი ტესტირებით სტატისტიკური სარმუნოობა შესაძლოა მიღწეულ იქნეს, მაგრამ განსხვავება მაინც უმნიშვნელო იქნება. მიღებული შედეგებიდან ვასკვნით, რომ ლენალიდომიდი უმნიშვნელოდ მოქმედებს პროლიფერაციაზე და სავარაუდოა, რომ მისის გავლენა იმუნური სისტემის ფუნქციონირებაზე სხვა მექანიზმით ხორციელდება. დენდრიტული უჯრედების მარკერების ექსპრესიის შესწავლის მიზნით გამდინარე ციტომეტრით ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ 0,5მკმოლი კონცენტაციის ლენალიდომიდის დამატება, დაახლოებით 10%-ით ზრდის დენდრიტული უჯრედების მარკერების ექსპრესიას (სურათი 1). (შესაძლებელია, რომ მაღალი კონცენტარაციის ლენალიდომიდს მასუპრესირებელი მოქმედება ქონდეს?). ნებისმიერ შემთხვევაში, ნათაელია, რომ ამ მიმართულებით კვლევების წამოება დიდ ინტერესს იწვევს..


საპირისპიროდ, 5-აზაც-ი იწვევს დენდრიტული და RM-1უჯრედების პროლიფერაციის დოზაზე დამოკიდებულ დაქვეითებას. 5-აზაც-ი დნმ-ის მეთილირების ინჰიბიტორია და მოსალოდნელია, რომ იგი ციტოტოქსიურია პროლიფერირებადი უჯრედებისათვის. ამ ფაქტის მიუხედავად როგორც ჩანს 5-აზაც-ი დენდრიტულ უჯრედებს ააქტივებს ენდოთელინის რეცეპტორის ექსპრესიის გაზრდით და ინტერლეიკინების IL12 და IL15-ის წარმოქმნის მომატებით. დენდრიტული უჯრედების მიერ IL12 და IL15-ის წარმოქმნის 5-აზაც-ის დოზაზე დამოკიდებული მატება, როდესაც 5-აზაც-ი გამოიყენება TNFα-სთან ერთად, სავარაუდოდ მოახდენს ბუნებრივი იმუნიტეტის აქტივაციას ნატურალურ კილერებზე ზემოქმედების გზით და ასევე ადაპტური იმუნური სისტემის აქტივაციას მისი დამხმარე T-უჯრედებზე მოქმედების მეშვეობით. მიუხედავად იმის, რომ ჩვენს მიერ ჩატარებულია მხოლოდ წინასწარი კვლევები, რომლებიც განმეორებას საჭიროებს, მიღებული შედეგები წინააღმდეგობაშია სხვების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებისაგან, რომლებიც ამბობენ, რომ 5-აზაც-ი აქვეითებს NK- უჯრედების ციტოტოქსიურობას და დენდრიტული უჯრედების ფუნქციას. შესაძლებელია, რომ წინაწარი კვლევები, არასწორად ახასიათებდეს იმ გავლენას რაც გააჩნია 5-აზაც-ის დენდრიტული უჯრედების ფუნქციაზე, აქტივაციის შეფასების ალტერნატიულ მეთოდზე ფოკუსირების გამო ან შესაძლებელია, რომ დენდრიტული უჯრედების ფუნქციის განხორციელება ითრგუნება მათზე მოქმედი ციტოტოქსიური ეფექტით, რაც გაირკვა, ჩვენს მიერ წინასწარ ჩატარებული უჯრედების პროლიფერაციის კვლევისას. სიტუაციაში გასარკვევად აშკარაა, ამ არეალში შემდგომი კვლევების წარმოების აუცილებლობა.



სურათი 1. DMSO (0.1%) და ლენალიდომიდით (0.5 μM) დამუშავებული DC- ების 48 საათიანი კულტურების შედარება. ანალიზმა აჩვენა DC მარკერების ექსპრესიის 10%იანი მატება 0.5 μM კონცენტრაციის ლენელიდომიდის დამატების შემდეგ.

მიუხედავად იმუნურ-ეფექტორულ უჯრედებზე მისი პირდაპირი ზემოქმედებისა, ნათელია, რომ 5-აზაციტიდინი აძლიერებს სიმსივნის წარდგენას იმუნური სისტემისათვის CTA-ანტიგენების აფრეგულაციის გზით. ეს დადასტურდა პროსტატის კიბოს თაგვის მოდელზე ჩატარებული ჩვენი კვლვებითაც.

მიუხედავად იმის, რომ ერთ-ერთმა ჯგუფმა აჩვენა ამ ანტიგენების აფრეგულაცია 5-აზაც-ის საპასუხოდ ფილტვის კიბოს უჯრედული ხაზის შემთხვევაში, არავის უჩვენებია P1A-ის აფრეგულაცია თაგვის პროსტატის კიბოს უჯრედული ხაზის უჯრედებში. ლენალიდომიდის უნარით გააძლიეროს იმუნური პასუხები და 5-აზაც-ის უნარით გაძლიეროს სიმსივნის წარდგენა იმუნური სისტემისათვის, შესაძლებელია



მათი კომბინაციით პროსტატის კიბოს მკურნალობა წარმატებული აღმოჩნდეს პროსტატის კობოს შემთხვევაში. საბოლოოდ, ჩვენი მიზანია თაგვის მოდელზე ამ ჰიპოთეზის შემოწმება და მუშაობა წარმატების მისაღწევი ზუსტი მექანიზმის განსაზღვრისაკენ. თუ წარმატებაბა დადასტურდება მკვრივი სტრუქტურის მქონე სიმსივნეების შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ ეს კომბინაცია დაემატოს ამჟამად არსებულ ქიმიოთერაპიულ რეჟიმებს და აგრეთვე ადოპტურ იმუნოთერაპიულ მეთოდებს უკეთესი ეფექტურობის მისაღწევად.


	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2.	სუპერპარამაგნიტური რკინის ოქსიდის ნანონაწილაკების SPIONs) გამოყენებისპერსპექტივები ჭრილობების შეხორცებაში	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	აბულაძე მარინა	აბულაძე მარინა ცერცვაძე თამარ კეკუტია შალვა სანებლიძე ლიანა სოხაძე ვიქტორი ნარჩემაშვილი ემა სულაძე თამარ მიცკევიჩი ნუნუ

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

კვლევის მიზანია შეფასდეს SPION–ის ბაქტერიოციდული ეფექტი *S.epidermidis* და ადმიანის ეპითელიუმის–მსგავსი L-41 უჯრედული ხაზის შემთხვევაში. წარმოდგენილ პროექტში შევისწავლით SPION-ის ბაქტერიციდულ ეფექტს *Staphylococcus epidermidis*–ბიოაპკების წარმოქმნელ ბაქტერიებზე და SPION ციტოტოქსიურ და შესაძლო მასტიმულირებელ გავლენას ადამიანის ეპიტელიოუმის მსგავს L-41 უჯრედული ხაზზე.

SPION-ის სინთეზს ვახდენთ ქიმიური მეთოდით და ელექტროჰიდრავლიკური ეფექტით, შემდგომ ვახდენთ SPION-ის დაფარვას ბუნებრივი პოლიმერით (PEG, PVA, Dextran) და ნანონაწილაკების მაგნიტური თვისებების შეფასებას იმისათვის, რომ


დავადასტუროთ სინთეზირებული პროდუქტის სუპერმაგნიტური თვისებები, რათა თავიდან აგვცილებია მათი დალექვა ბიოლოგიურ სითხეში. (სურათი 1, 2).



სურ. 1. გრძელვადიანი L-41 უჯრედებში კულტურის ზრდის მახასიათებლები: ა. უჯრედების რაოდნობა და მიტოზურიო ინდექსი. მორფოლოგიური ანალიზისთვის უჯრედებს გამრავლება ხდებოდა 24 - კედლიან ფირფიტებზე. საერთო უჯრედების რაოდენობას ვსაზღვრავთ ჰემოციტომეტრის დახმარებით. მკვდარი უჯრედების გამორიცხვას ვახდენთ ნიმუშების შეღებვით ტრიპანის ლურჯით. მიტოზური ინდექსი (Mi) ვითვლით 1000 უჯრედზე მიტიოზების რაოდენობას.

მოცემულ პროექტში წარმოდგენილია მრავალპროფილური კვლევები დიფერენციალური სკანირებადი კალორიმეტრიის, შიდაუჯრედული პროცესების ბიოქიმიური ანალიზის და კლასიკური ბაქტერიოლოგიური მეთოდების გამოყენებით.

კვლევის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს SPION–ის კონცენტრაცია დამოკიდებული ეფექტის შეფასება L-41 უჯრედული ხაზის შემთხვევაში. (უჯრედულიციკლის ანალიზისას დნმ-ის მდგომარეობის შეფასება);




სურათი 2. L-41 უჯრედული კულტურა 48 საათიან ზრდაზე. აკრიდინით (100 ug/ml). დამუშავებული უჯრედების ანალიზი ხდება ფლუორესცენტული მიკროსკოპის საშუალებით.

L-41 უჯრედული კულტურა არის ადამიანის ეპიტელიუმის მსგავსი უჯრედული ხაზი, პირველად მიღებული იქნა ადამიანის მონოციტური ლეიკემიის მქონე პაციეტებიდან (გენეტიკის სამეცნიერო ცეტრი, რუსეთის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემია, მოსკოვი, რუსეთი).

უჯრედული ციკლის ანალიზისას დნმ-ის მდგომარეობის შეფასება- დნმ–ის რაოდენობას პროპიდოიუმ იოდიდით (PI) მონიშნული უჯრედების რაოდენობას ვსაზღვრავთ გამდინარე ციტომეტრიის მეშვეობით FACScan (Becton–Dickinson, UK) და უჯრედული


ციკლის ფაზების გამოყოფა ერთმანეთისგან ეფუძვნებოდა PI ფლურესცენცია დამოკიდებულ მეთოდს. დნმ ჰისტოგრამები გვიჩვენებენ უჯრედული ციკლის ფაზაში სიცოცხლისუნარიანი უჯრედების რაოდენობას. აპოპტოზური უჯრედები უნდა განლაგდეს, როგორც დნმ–ის ჰიპოდიპლოიდური მკაფიო სუბG1 პიკი.



სურათი 3. უჯრედული ციკლის ანალიზისას დნმ-ის მდგომარეობის შეფასება

L-41 უჯრედების მიტოზური ინდექსი (Mi) უჯრედების კულტივირებისას აღწევს 35-40%-ს. უჯრედების დაახლოებით 80% 48 საათზე აღწევს სუბ -კონფლუენტურ სტადიას. სიცოცლისუნარიანი უჯრედების რეაოდენობა თანდათან მცირდება 120 საათზე. გამდინარე ციტომეტრიის ანალიზმა აჩვენა, რომ ლოგარითმული ზრდის ფაზა ფიქსირდება (48-72 საათზე). პოლიპლოიდური უჯრედების ფრაქცია არ აღემატება უჯრედული პოპულაციის 3%-ს . სუბ-G1 ზონაში ჰიპოდიპლოიდური დნმ-ის რაოდენოს მკაფიო ზრდა მიუთითებს აპოპტოზური უჯრედების არსებობაზე კულტურაში, რაც უკვე აჩვენა მორფოლოგიურმა ანალიზმა (სურათი 3).

კვლევის მიზანია, შეფასდეს SPION–ის ბაქტერიოციდული ეფექტი *S.epidermidis* და ადმიანის ეპითელიუმის–მასგავსი L-41 უჯრედული ხაზის შემთხვევაში. *S. epidermidis* მიღებული იქნება გ.ელიავას სხელობის ბაქტერიოფაგის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტში (თბილისი, საქართველო). შეირჩა ბაქტერიული ზრდისთვის ოპტიმალური პირობები და ბაქტერიები იქნა დახასიათებული მორფოლოგიურად.



სურათი.4 გაქტერიული უჯრედები სტაციონალური ზრდის ფაზაში. აკრიდინის ნარინჯით შეღებილი უჯრედების პოპულაციის ანალიზს ვახდენთ ფლურესცენტული მიკროსკოპით

	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
3.	ადამიანის ქორიონული გონადოტროპინის β- ჯაჭვის მუტანტურ მოლეკულაზე დაფუძნებული ეპიტოპ-სპეციფიური ანტისიმსივნური ვაქცინის პროტოტიპის შექმნა	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ნინო ჭიკაძე	ნინო ფორაქიშვილი; ნინო ჭიკაძე; ნინო გაჩეჩილაძე

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

ადამიანის ქორიონული გონადოტროპინი გლიკოპროტეინული ჰორმონების ოჯახის პლაცენტარული წევრია, რომელიც ამავდროულად სიმსივნური ზრდის მარკერს წარმოადგენს. იგი მრავალი ტიპის სიმსივნესთან ასოცირდება. სიმსივნური უჯრედები არა მხოლოდ ასეკრეტირებენ აქგ-ს, არამედ იგი ექსპრესირებულიცაა მათ ზედაპირზე როგორც ორჯაჭვიანი ფორმით, აგრეთვე ცალკეული აქგβ-ჯაჭვების სახითაც . ნატიურ გლიკოპროტეინს და მის სუბერთეულებს ასინთეზებს, როგორც გონადური (ტროფობლასტური, ტესტიკულარული), აგრეთვე არაგონადური წარმოშობის სიმსივნური უჯრედები და მრავალი ეპითელური სიმსივნე (ნაღვლის ბუშტის, პანკრესის, საშვილოსნოს ყელის, სწორი ნაწლავის, მკერდის). მიჩნეულია, რომ სიმსივნურ უჯრედზე აქგ მოქმედებს, როგორც აუტოკრინული ზრდის ფაქტორი და განაპირობებს სიმსივნის პროგრესირებას რამოდენიმე დონეზე, როგორც: ა) ტრანსფორმაციის გამომწვევი ზრდის ფაქტორი, ბ) იმუნომასუპრესირებელი აგენტი, გ) მეტასტაზური ზრდის გამომწვევი, დ) ანგიოგენეზის ხელისშემწყობი.

მაშასადამე, აქგ-ს საწინააღმდეგო იმუნიზაციამ შესაძლებელია გამოიწვიოს ამ მოლეკულის მაექსპრესირებელი სიმსივნური უჯრედების საწინააღმდეგო ჰუმორული და უჯრედული იმუნური პასუხების აღძვრა. ხსნადი აქგ-ს ანტისხეულებით განეიტრალებამ კი შესაძლოა შეაჩეროს აქგ-თი გამოწვეული სიმსივნური ზრდა, ანგიოგენეზი და იმუნური სისტემისაგან თავის დაღწევა

აქგ-ს საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნისათვის მისი მუტანტური ვარიანტების გამოყენების სხვადახვა მცდელობები არსებობს. მლჰ-სთან ჯვარედინად მორეაგირე ანტისხეულების სინთეზის გამოსარიცხად ლონდონის უნივერსიტეტში შემუშავებულ იქნა ეპიტოპ-სპეციფიური ვაქცინების კონსტრუირების მეთოდი ჩვენი თანამონაწილეობით. მლჰ-სთან ჯვარედინად მორეაგირე ეპიტოპურ უბანზე შერჩეული ამინომჟაური ნაშთები ჩანაცვლებულ იქნა საიტსპეციფიკური მუტაგენეზის გზით . ჩვენს

მიერ ნაჩვენებია, რომ მიღებულ მუტანტურ მოლეკულებს შორის ერთ-ერთი - ერთი წერტილოვანი მუტაციის შედეგად 68-ე პოზიციში არგინინის ნაცვლად გლუტამინის მჟავის შემცველი მუტანტი - არ იკავშირებდა არცერთ მლჰ-ს სპეციფიურობის მონოკლონურ ანტისხეულს. ჩვენ ვაჩვენეთ, რომ მუტანტური დნმ-ით იმუნიზაცია ეფექტორული იმუნური პასუხების გამოწვევის ნაცვლად, უმეტესწილად მესიერების ჩამოყალიბებას განაპირობებს , შედეგად, იმუნიზაციისათვის დნმ-ის ნაცვლად რეკომბინანტული ცილის გამოყენება გადაწყდა. საბოლოოდ მუტანტური, რეკომბინანტული ცილა მიღებულ იქნა ცილის ექპრესიის ბაკულოვირუსული სისტემით. შემდეგ, ჩვენ მოვახდინეთ იმის დემონსტრირება, რომ ბაკულოვირუსული წარმოშობის აქგβ(R68E)- რეკომბინანტული ცილის საპასუხოდ როგორც თაგვებში, აგრეთვე ბოცვრებში წარმოქმნილი ანტისხეულები არ ხასიათდებიან მლჰ-სთან ჯვარედინი რეაქტიულობით [8,9]. წარმოქმნილი ანტისხეულების უმეტესობა, მიმართულია აქგ β-ჯაჭვის კარბოქსი-ტერმინალური პეპტიდისაკენ (აქგβკტპ) და მაღალი აფინობით უკავშირდება, როგორც იმუნოგენს - აქგβ(R68E)-ს და აქგβკტპ, აგრეთვე ნატიურ აქგ-ს [10]. უფრო მეტიც, ჩვენ მოვახდინეთ იმის დემონსტრირება, რომ ბოცვერის ანტი-აქგβ(R68E) შრატით და ნატიური აქგ-თი შექმნილი იმუნური კომპლექსები წარმატებით ფაგოციტირდებიან in vitro მონოციტებისა და ნეიტროფილების მიერ, რაც in vivo აღნიშნული იმუნური კომპლექსებისაგან ორგანიზმის გაწმენდის კარგ შესაძლებლობაზე მეტყველებს.

კვლევის ამ ეტაპზე ჩვენ შევეცადეთ აქგβ(R68E) შემცველი ვაქცინის პროტოტიპიისათვის ოპტიმალური მოლეკულა მატარებლისა და ადუვანტის შერჩევას. მოლეკულა მატარებლად გამოვიყენეთ სითბური შოკის ცილა 70 და კეიჰოლ-ლიმფეტ ჰემოციანინი(კლჰ), ხოლო ადუვანდებად Ribi (Sigma, გაერთიანებული სამეფო) და Montanide ISA720 (SEPPIC, საფრანგეთი): აღნიშნული მოლეკულა მატარებლის და ადუვანტების სხვადასხვა კომბინაციებით მოვახდინეთ თაგვების იმუნიზაცია . იმუნიზაცია განხორციელდა კონუგატიადუვანტების შემდეგი კომბინაციების გამოყენებით:


აქგβკტპ-სშც70 - GDA (გლუტარის დიალდეჰიდი) კონუგატი, Ribi.
აქგβკტპ-სშც70 - GDA კონუგატი, Montanide ISA720.
აქგβკტპ-სშც70 – EDC (1-ეთილ-3-[3-დიმეთილამინოპროპილ] კარბოდიმიდ ჰიდროქლორიდი) კონუგატი, Ribi.
აქგβკტპ-სშც70 – EDC კონუგატი, Montanide ISA720.
აქგβკტპ-კლჰ - EDC კონუგატი, Ribi
აქგβკტპ-კლჰ - EDC კონუგატი, Montanide ISA720.
აქგβ(R68E)-სშც70 - GDA კონუგატი, Ribi.
აქგβ(R68E)-სშც70 - GDA კონუგატი, Montanide ISA720.
აქგβ(R68E)-სშც70 - EDC კონუგატი, Ribi.
აქგβ(R68E)-სშც70 - EDC კონუგატი, Montanide ISA720.
აქგβ(R68E)- კლჰ - EDC კონუგატი, Ribi.
აქგβ(R68E)- კლჰ - EDC კონუგატი, Montanide ISA720.
აქგβ(R68E) - არაკონუგირებული, Ribi.
აქგβ(R68E) - არაკონუგირებული, Montanide ISA720.

6 კვირის Balb/c მდედრი თაგვების (ანტიგენის თითოეული პრეპარაციისთვის 7 ინდივიდიანი ჯგუფი) იმუნიზაცია განხორციელდა 2-ჯერ, ანტიგენი 100-100 მკგ დოზით. განმეორებითი იმუნიზაცია ჩატარდა პირველი იმუნიზაციიდან 5 კვირის შემდეგ. შრატები შეგროვდა რეიმუნიზაციიდან ერთ კვირაში.

აღნიშნული შრატების ტიტრირება მოვახდინეთ პირდაპირი იმუნოფერმენტული ანალიზით (ELISA). ტიტრირებისათვის გამოვიყენეთ შემდეგი ანტიგენები - ნატიური აქგαβ: ფეხმძიმე ქალების შარდიდან გამოყოფილი და გასუფთავებული აქგαβ (Sigma, აშშ).

ნატიური აქგβ: ფეხმძიმე ქალების შარდიდან გამოყოფილი და გასუფთავებული აქგβ-ჯაჭვი (Sigma, აშშ). აქგβკტპ: აქგβ-ჯაჭვის კარბოქსი-ტერმინალური პეპტიდის ანალოგი სინთეზური პეპტიდი (Sigma, აშშ). მუტანტური აქგβ(R68E) - რეკომბინანტული აქგβ ერთი ჩანაცვლებული ამინომჟავით, რომელიც მიღებულია High Five™ უჯრედული კულტურის და ცილის ექსპრესიის ბაკულოვირუსული სისტემის მეშვეობით. რეკომბინანტული ცილა გამოყოფილი და გასუფთავებულია უჯრედული კულტურის სუპერნატანტიდან აფინური ქრომატოგრაფიით.

შრატების ტიტრირების შედეგად მიღებული შედეგების მიხედვით, კონუგატი-აქგβ(R68E)-სშც70-ით იმუნიზაციის შედეგად წარმოიქმნება ანტი-აქგ, ანტი-აქგαβ და ანტი აქგαβკტპ ანტისხეულების ერთნაირად მაღალი ტიტრები. ამ ანტისხეულების 50%-ინი ტიტრი განისაზღვრა, როგორც შრატის 1:800-თან განზავება, ხოლო ტიტრის ბოლო წერტილი 1:12800-თან განზავება, რაც წარმოქმნილი ანტისხეულების მაღალ კონცენტრაციაზე მეტყველებს. (სურათი 1).



სურათი 1. ა) აქგβ(R68E)-სშც70-ით, ბ)აქგβ(R68E)- კლჰ -ით და გ) არაკონუგირებული აქგβ(R68E)ით იმუნიზირებული თაგვების შრატებში ანტი-აქგ, ანტი-აქგβ და ანტი-აქგβკტპ ტიტრირება.

შრატების ტიტრირებას ვახდენდით პირდაპირი იმუნოფერმენტული ანალიზით ELISA, მყარ ფაზაზე დაგვქონდა შემდეგი ანტიგენები აქგ (ნატიური ჰეტეროდიმერი), აქგβ და აქგβკტპ. შრატებს ვაზავებით 1:50-იდან 1:25600მდე. მიღებული შედეგები წარმოდგენილია როგორც ოპტიკური სიმკვრივეების საშუალო არითმეტიკული ± სტანდარტული გადახრა.

აქგβ(R68E)- კლჰ -ით იმუნიზაციის შედეგად წარმოქმნილი ანტისხეულები კარგად უკავშირდებიან აქგαβკტპ -ს (ტიტრის 50%-ია 1:400 თან განზავება, ხოლო ხოლო ბოლო წერტილი 1:6400), მაგრან შედარებით სუსტია ამ შრატების დაკავშირება ნატიურ აქგ-სა და აქგαβ-სთან (ტიტრის 50% 1:1200 განზავებაა, ხოლო ბოლო წერტილი 1:3200). წინამორბედი კვლევების შედეგებიდან გამომდინარე, ჩვენ ველოდით, რომ საკვლევ შრატებში ანტი-აქგαβკტპ ანტისხეულების მაღალი ტიტრები იქნებოდა, მაგრამ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ანტი-კონუგატი-აქგβ(R68E)-სშც70 შრატებში არსებული აქგαβკტპ სპეციფიურობის ანტისხეულები მაღალი აფინობით უკავშირდებიან ნატიიურ აქგ-ს და აქგβ-ს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს შრატები პოლიკლონურია და მათში აქგ-ს სხვა ეპიტოპების სპეციფიურობის ანტისხეულებიც არის.

ყველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, გამოიკვეთა, რომ სითბური შოკის ცილა 70 ეფექტური მოლეკულა-მატარებელია აქგβ(R68E)-ზე დაფუძნებული ვაქცინის პროტოტიპის ფორმირებისთვის.

ცნობილია, რომ აქგს G-ტერმინალური პეპტიდი არ მონაწილეობს ჰორმონის რეცეპტორთან დაკავშირებაში და შესაბამისად, ანტი-აქგαβკტპ ანტისხეულებს შეძლიათ რეცეპტორთან შეკავშირებულ აქგ-სთან დაკავშირებაც. ეს კი ამ რეცეპტორის მატარებელ სიმსივნურ უჯრედებზე ციტოტოქსიური შეტევის შესაძლებლობას იძლევა. ვიქრობთ, ამ მიმართულებით კვლევების გაგრძელება საინტერესო იქნება. კვლევის ამ ეტაპზე კი დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კონუგატი-აქგβ(R68E)-სშც70, წარმოადგენს აქგ-ს წინააღმდეგ მიმართული ვაქცინის ეფექტურ პროტოტიპს, რომელიც საკმაოდ მაღალი იმუნოგენურობით გამოირჩევა.

	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1.	ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემიის სტრატიფიკაცია CD180 თოლ-მსგავსი რეცეპტორის ექსპრესიის და სასიგნალო წყობის მიხედვით (სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	მენტორი: პროფესორი ნინო ფორაქიშვილი	ახალგაზრდა მეცნიერი - თამარ ცერცვაძე

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

გაუწყებთ, რომ პროექტი დაიწყო 21.12.2015 წელს. მისი კვლევის ობიექტს წარმოადგენს, B-ქლლ-ით დაავადებული პირების პერიფერიული სისხლის ლიმფოციტები.

გამოკვლეულ იქნება B-ქლლ დაავადებულის პერიფერული სისხლი, კვლევის ძირითადი მიზნებია: 1. ქლლ პაციენტების უჯრედების ფენოტიპური, კლინიკური, პროგნოზული სტრატიფიკაცია, CD180 - ის ექსპრესიის და სიგნალის გადაცემის პროფილის მიხედვით. 2. ქლლ–ს რუტინული ანალიზში ახალი პროგნოზული მაჩვენებლების CD38 და ZAP70 ჩრთვა იმუნოფენოტიპირება გამდინარე ციტომეტრიის გამოყენებით და ქრომოსომული აბერაციების ციტოგენეტიკური ანალიზი. 3. დადგინდეს დეტალური მექანიზმები CD180-ის ურთიერთქმედების BCR-თან, რომელიც იწვევს BCR-გაშუალებული სიგნალის გადართვას პრო-გადარჩენიდან BTK/PI3K/AKT პრო- აპოპტოზურისკენ p38MAPK; 4. CD180-ის ექსპრესიის და სიგნალის კორელაციის დადგენა ქლლ უჯრედების კლონურ ექსპანსიასთან და განსახლების ეფექტთთან; 5. CD180 რეცეპტორის ექსპრესიის ან სასიგნალო გზების რეზისტენტობის და მგრძნობელობის ქიმიო-, იმუნო, მოლეკულური თერაპიის მიმართ.

პროექტის შედეგად დადგინდება და მკაფიოდ ჩამოყალიბდება CD180 ექსპრესიის და უჯრედშიდა სიგნალების ისეთი მახასიათებლები, რომლებსაც ექნებათ როგორც პროგნოსტიკური, ასევე სტრატიფიკაციის მნიშვნელობა, რათა განვსაზღვროთ ქლლ ინდივიდუალური კლონების მგრძნობელობა კონკრეტული მკურნალობის მიმართ. მაგალითად, ჩვენს წინა გამოკვლევებში დადგინდა pBTK ფოსფორილირების დეფიციტი როგორც CD180, ასევე ბურ-ის ლიგაციის საპასუხოდ, მთელ რიგ პაციენტებში. ამ პაციენტებში, მაშასადამე, არ იქნება მიზანშეწონილი ახალი სამკურნალო საშუალების - pBTK ინჰიბიტორის იბრუტინიბის გამოყენება, რომელიც სულ ეხლახანს შემოვიდა დასავლეთში სამკურნალო პრაქტიკაში. ამიტომაც, CD180 ექსპრესიის და ფუნქციურ თავისებურებებს ჩვენ განვიხილავთ, როგორც ქლლ პროგნოსტიკურ მარკერს, დაავადების პროგრესის და საქართველოში ხელმისაწვდომ მკურნალობასთან მიმართებაში.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ცერცვაძე თ. მიცკევიჩი ნ. ღირდალაძე დ. ფორაქიშვილი ნ.	CD32 -ს და CD180-ის ექსპრესიების შორის კორელაცია ქლლ უჯრედებსა და MEC1 უჯრედული ხაზის უჯრედებზე	2(240)	თბილისი, საქართველოს სამედიცინო სიახლენი 2015	4(გვ,56-59)
2	ცერცვაძე თ. მიცკევიჩი ნ. ღირდალაძე დ. ფორაქიშვილი ნ.	Fcγ რეცეპტორისა და თოლის მსგავსი რეცეპტორის CD180-ის აბერენტული ექსპრესია ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემიით დაავედებული პაციენტების მონოციტებზე	2(239)	თბილისი, საქართველოს სამედიცინო სიახლენი 2015	4 (გვ.35-38)
ანოტაციები ქართულ ენაზე 1.					

ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემია (ქლლ) ხასიათდება $CD5^{+}CD19^{+}CD23^{+}$ B უჯრედების კლონური ექსპანსიით და აკუმულირებით პერიფერიულ ლიმფურ ორგანოებში, ქსოვილებსა და ძვლის ტვინში. ნაჩვენებია, რომ ქლლ უჯრედები მიკროგარემოსგან ღებულობენ სიგნალებს, რომლებიც ხელს უწყობენ მათ დაყოფას, გადარჩენასა და ექსპანსიას ინ ვივო. სავარაუდოდ, ქლლ-ის განვითარებას ბიძგს აძლევს ჰიპოთეტური ენდოგენური ან ეგზოგენური (აუტო)ანტიგენ(ებ)ი. ჩვენს მიერ ნაჩვენები იქნა, რომ ქლლ უჯრედები ძლიერ სიგნალებს იღებს CD180 თოლლ-მსგავსი რეცეპტორების საშუალებით. დამატებითი მეორადი სიგნალი შეიძლება გამომუშავებული იქნეს FcRII (CD32) რეცეპტორების მეშვეობით, რადგანაც ორივე რეცეპტორი ექსპრესირებულია, როგორც ქლლ უჯრედებზე, ასევე საკონტროლო B ლიმფოციტებზე. მოცემულ ნაშრომში ჩვენ შევისწავლეთ CD32 და CD180 რეცეპტორების ექსპრესიის კორელაცია როგორც ქლლ უჯრედებში, ასევე MEC1 უჯრედულ ხაზში.

ქლლ პაციენტებისა და შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის ჯანმრთელი პირების პერიფერიული სისხლის მონონუკლეარულ უჯრედებს ვღებავდით ჩD19, ჩD32 და CD180 ანტისხეულებით, კონიუგირებულ ფლუოროქრომებით და შედეგებს ვსაზღვრავდით გამდინარე ციტომეტრის გამოყენებით. CD32 და CD180 რეცეპტორების ექსპრესიას MEC1 უჯრედებზე ვსწავლობდით დროის სხვადასხვა წერტილებში. მიღებული მონაცემების სტატისტიკურ დამუშავებას ვაწარმოებდით მან-უიტნის არაპარამეტრული კრიტერიუმის გამოყენებით.

ჩვენს მიერ მიღებული შედეგების თანახმად, CD32 რეცეპტორის ექსპრესია ქლლ უჯრედებზე მნიშვნელოვნად არის გაზრდილი საკონტროლო B უჯრედებთან შედარებით, ისევე როგორც MEC1 უჯრედების გრძელვადიან კულტურაში. ამისგან განსხვავებით, CD180 რეცეპტორის ექსპანსია MEC1 უჯრედებში მნიშვნელოვნად შემცირდა 0-96-საათიანი ზრდის პირობებში. ახლახანს ჩვენს მიერ ნაჩვენები იქნა რომ CD180 რეცეპტორის შებოჭვა იწვევს sIgM-გაშუალებული სიგნალის გადართვას გადასარჩენიდან აპოპტოზურზე. ჩვენი ახალი მონაცემები აჩვენებს, რომ CD180 რეცეპტორის ექსპრესიის შემცირებამ ქლლ უჯრედებში, შესაძლოა, გამოიწვიოს ამ ეფექტის შესუსტება და გააძლიეროს ქლლ უჯრედების შემდგომი გადარჩენა და ექსპანსია ლიმფოიდური ქსოვილების პროლიფერატორულ ცენტრებში. რადგანაც MEC1 უჯრედები მიღებულია ქლლ პაციენტებისგან მუტირებული IGVH გენებით (M-ქლლ) უარყოფითი კორელაცია CD180 და CD32 რეცეპტორების ექსპრესიებს შორის MEC1 უჯრედებში, შესაძლოა, შემოფარგლულია M-ქლლ-ით.

2.

ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემია (ქლლ) - ლეიკემიის ყველაზე გავრცელებული ფორმაა, როგორც აშშ-სა და ევროპაში, ასევე საქართველოში. ქლლ პაციენტების ინფექციური დაავადებებით მაღალი ავადობა რომელიც შეიძლება იყოს გამოწვეული როგორც დაავადების პროგრესირებით, ასევე ქიმიოთერაპიით, მიუთითებს შეძენილ იმუნოდეფიციტზე. იმუნოდეფიციტი მოიცავს როგოც შეძენილ, ასევე თანდაყოლილ იმუნურ პასუხებს, მათ შორის მონოციტების ანტიმიკრობულ ფუნქციებს. ამასთანავე მონოციტები მონაწილეობენ ანტისიმსივნურ იმუნურ პასუხებშიც, განაპირობებენ რა

მონოკლონური ანტისკეულებით (მკა) ოფსონირებული სიმსივნური უჯრედის Fcγ-რეცეპტორ (FcγR)-გაშუალებულ ფაგოციტოზს.

ამ ნაშრომში ჩვენ შევისწავლეთ მონოციტების ფუნქციური სტატუსი ქლლ მქონე პაციენტებში. გამდინარე ციტომეტრიის გამოყენებით გამოვიკვლიეთ მონოციტების ზედაპირული Fcγ რეცეპტორების CD64, CD32, CD16 და თოლ-მსგავსი რეცეპტორის CD180-ის ექსპრესია მონოციტებზე, რომელთა როლი მნიშვნელოვანია ანტიბაქტერიულ იმუნიტეტში.

ჩვენს მიერ მიღებული შედეგების თანახმად, ქლლ პაციენტებში ჯანმრთელ საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, პერიფერიული სისხლის მონოციტებზე აღინიშნება როგორც Fcγ-რეცეპტორების (CD64 და CD16), ასევე CD180-ის ექსპრესიის დაქვეითება, რაც ასუსტებს მათ ანტიბაქტერიულ იმუნურ პასუხებს. ამასთან, მონოციტებზე CD64-ის აბერანტულმა ექსპრესიამ, შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ანტისხეულდამოკიდებული იმუნოთერაპიის ეფექტურობაზე.

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/	სტატიის სათაური,	ჟურნალის/	გამოცემის	გვერდების

	ავტორები	ჟურნალის/კრებუ-ლის დასახელება	კრებულის ნომერი	ადგილი, გამომცემლობა	რაოდენობა
	ნ. ფორაქიშვილი, კ. ვისპუტი, ა. სტილი, ნ. რაჯაკარუნა, ნ. კულიკოვა, თ.ცერცვაძე, ა. ნათვანი, რ. დეიმლი, ე. კლარკი, კ. რაი, ნ. ჩორაცი, პ. ლიდიარდი	Toll-ის მსგავსი რეცეპტორი CD180-ის მიერ sIgM-ის მონაწილეობით სიგნალის გადაცემის განახლება,	21, 2015	მოლეკულური მედიცინა	12 (გვ.46-57)

ანოტაციები ქართულ ენაზე

ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემიის განვითარება და პროგრესირებას, როგორც თვლიან აღძვრავს B-უჯრედული რეცეპტორის (ბურ) მეშვეობით ჯერ კიდევ უცნობი ანტიგენი/ანტიგენები, და აგრეთვე მიკროგარემოცვის სიგნალები. ეს სიგნალები, რომლებსაც მიეკუთვნება თოლლ-მსგავსი რეცეპტორების (თმრ) ლიგანდები განაპირობებენ ქლლ უჯრედების აპოპტოზისგან გადარჩენის და ორგანიზმში გავრცელების რეგულირებას.

CD180/RP105 წარმოადგენს უჯრედის მემბრანასთან ასოცირებულ ობოლ (ბუნებრივი ლიგანდი უცნობია) რეცეპტორს, რომელიც მიეკუთვნება თოლ-მსგავსი რეცეპტორების ოჯახს. იგი იწვევს ნორმალური B უჯრედების აქტივაციას და პროლიფერაციას და წარმოდგენილია ინდივოდუალური ქლლ კლონების დაახლოებით 60%-ზე. მათი დაახლოებით ნახევარი პასუხობს ანტი- CD180 მონოკლონურ ანტისხეულზე (მკა) იმ პროტეინ კინაზების აქტივაციით და ფოსფორილირებით, რომლებიც დაკავშირებულია ბურ-ის სასიგნალო გზებთან.

აქედან გამომდინარე, ქლლ უჯრედები, რომლებიც ექსპრესირებენ ორივეს - როგორც CD180, ასევე ბურ-ს, ღებულობენ ორივე რეცეპტორით გაშუალებულ სიგნალებს.

ამ ნამუშევარში ჩვენ შევისწავლეთ CD180-ით და ბურ-ით განპირობებული სიგნალების უერთიერთქმედება ქლლ უჯრედებზე. ჩვენი შედეგების მიხედვით CD180-ს ლიგაციას მოპასუხე ქლლ უჯრედებზე მოყვება ალტერნატიული უჯრედშიდა სასიგნალო გზის ამოქმედება - გადარჩენის ხელშემწყობი BTK/PI3K/AKT ან პროაპოპტოზური p38MAPK სასიგნალო გზის. ამავდროულად ჩვენ დავადგინეთ, რომ ბურ-ის ანუ sIgM ლიგაცია ამჯობინებს BTK/PI3K/AKT სასიგნალო გზის აქტივაციას.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია,ანტი- CD180 ანტიცხეულებით ქლლ უჯრედების წინასწარი დამუშავება იწვევს sIgM-ით განპირობებული სიგნალის გადართვას აპოპტოზის მაბლოკირებელი BTK/PI3K/AKT გზიდან აპოპტოზის გამომწვევ p38MAPK გზაზე. ამრიგად ქლლ უჯრედების დამუშავება ანტი- CD180 მკა-თი გამოიწვევს მათი გადარჩენის სიგნალის, რომლებსაც ისინი მიიღებენ ბურ-გან, დახშობარ, და მის ნაცვლად კი - აპოპტოზს. ამრიგად, ჩვენს მიერ მიღებული შედეგები საშუალებას მოგვცემს შევიმუშავით ქლლ მკურნალობის ახალი

მიდგომები, რომელიც გამოსადეგია ქლლ დაავადებულების მნიშვნელოვან ჯგუფისთვის.					
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	ანტონიო დი ნოლა რევაზ გრიგოლია ნუნუ მიცკევიჩი	მულტიმოდალური ეპისტემიკური ლუკასევიჩის ლოგიკა იმუნურ სისტემასთან მიმართებაში. **ჟურნალი „Soft Computing“**	Volume 19, Issue 11 (2015),	Elsevier, Springer	pp. 3341-3351.
ანოტაციები ქართულ ენაზე					
	შემოთავაზებულია ახალი ლოგიკური სისტემა, რომელიც წარმოადგენს მრავალნიშნა ლუკასევიჩის ლოგიკის გაფართოებას, რომლის ენა გაფართოებულია უნარული ოპერატორით, რომელიც ინტერპრეტირებულია როგორც ცოდნის (მოდალური) ოპერატორი. ეს ლოგიკა გამოყენებადია იმუნური სისტემის შესწავლაში. განვითარებულია რელაციური სისტემა როგორც ამ ლოგიკის სემანტიკა. ეს რელაციური სისტემა წარმოადგენს იმუნურ სისტემას, რომელიც თავის მხრივ არის რელაციური ბიოლოგიის ნაწილი. მოცემულია რელაციური პროცესების ანალიზი, რომლებიც წარმოადგენენ რელაციურ სისტემებს, რომლებიც თავის მხრივ ახდენენ იმუნური სისტემის მოდელირებას.				

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1	ფორაქიშვილი, თ.ცერცვაძე ნ. რაჯაკარუნა ა. სტილი ნ. მიცკევიჩი, ა. ნათვანი, რ. დეიმლი, ე. კლარკი, კ. რაი, ნ. ჩორაცი, პ. ლიდიარდი	sIgM მონაწილეობით უჯრედშიდა სიგნალის გადაცემის მოდულაცია თოლის მსგავსი რეცეპტორი - CD180-ის მიერ ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემიის უჯრედებში	STEM ვორქშოპი ნანოტექნოლოგიებსა დ გარემოს შემსწავლელ მეცნიერებებში, თბილისი, საქართველო, სექტემბერი 4-6, 2015.
2	ნ. გაჩეჩილაძე	ვირუსული ინფექციების საპასუხო ანტივირუსული იმუნური და აუტოიმუნური მექანიზმები და მათი კოოპერაცია ინფექციურ პროცესთან	მე-7-ე საერთაშორისო კონგრესი „შემთხვევებზე დაფუძნებული მედიცინა ყოველდღიური პრაქტიკისათვის“, თბილისი, საქართველო, 17-18 აპრილი, 2015
მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე 2. ანტივირუსული იმუნური პასუხის რეგულაცია, ანტივირუსული იმუნური მექანიზმები, ვირუსით ინდუცირებული იმუნოპათოლოგიური პროცესები, ანტივირუსული ვაქცინაციის გართულებების თავიდან აცილების შესაძლებლობები, ვირუსების თავდაცვის სტრატეგია			

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნ. გაჩეჩილაძე, ე. ხურციძე, მ. გაიდამაშვილი	ქიტინ დამაკავშირებელი მცენარეული ლექტინის ციტოტოქსიურობის შესწავლა ადამიანის პერიფერიული სისხლის ლიმფოციტების	EAACI 2015 კონგრესი ბარსელონა, ესპანეთი, 6-10 ივნისი.

		კულტურაზე	

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1.

მცენარეულ ლექტინს MChbL მაღალ კონცენტრაციებს აქვთ მკვეთრად გამოხატული ციტოტოქსიური მოქმედება ადამიანის პერიფერიულ სისხლის ლიმფოციტების მიმართ, ხოლო დაბალ კონცენტაციებს კი აქვთ ConA (1 µg/ml) მსგავსი მიტოგენური ეფექტი. შესაბამისად აღნიშნული მცენარეული ლექტინი შესაძლებელია გამოყენებული იქნას როგორც ბიოლოგიური ბიოპესტიციდი დოზების რეგულაციის გათვალისწინებით.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1				
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

IV. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1				
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

ბიომრავალფეროვნების კათედრა და მასთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი
პროფ. არნოლდ გეგეჭკორი

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა

აკადემიური პერსონალი
1) პროფ. არნოლდ გეგეჭკორი
2) ასოც. პროფესორი შამილ შეთეკაური
3) ასისტ. პროფესორი ზელიმხან კერესელიძე
4) ასისტ. პროფესორი ნანა ბარნაველი

ტექნიკური პერსონალი
1) ლაბორანტი ქეთევან ოდიკაძე
2) ლაბორანტი მაია ჩუბინიძე
3) უფრ. ლაბორანტი ეკატერინე პოპიაშვილი

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	"მესხეთ -ჯავახეთის მაღალმთის ფლორა (მცირე კავკასიონი)", დარგი - ბოტანიკა, მიმართულება - ბიოლოგია	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, თბილისი, საქართველო.	**შამილ შეთეკაური**	**შამილ შეთეკაური** **ნანა ბარნაველი** დავით ჭელიძე ზეზვა ასანიძე
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				
პროექტი მთავრდება 2016 წლის მარტში. ამჟამად, მიმდინარეობს მუშაობა პროექტისავე დასახელების მონოგრაფიაზე, რომელიც დაიბეჭდება 2016 წლის აპრილის ბოლოს. დაზუსტდა მესხეთ-ჯავახეთის მაღალმთის ფლორის სახეობრივი შემადგენლობა. მოხდა სხვადასხვა ფლოროცენოზური კომპლექსების (ჰალოფიტები, მდელოები, ქსეროფიტები,				

პეტროფიტონი, მაღალბალახეულობა) მცენარეულობის თავისებურებათა დახასიათება; გაკეთდა სისტემატიკურ-გეოგრაფიული, ეკოტოპოლოგიური და სიმაღლებრივი გვრცელების კანონზომიერების ანალიზი; შედგა გამოკვლეული ტერიტორის მცენარეთა ჩეკლისთი. კვლევის პროცესში ნაპოვნი იქნა საქართველოსთვის ახალი მცენარე- ***Grammosciadium daucoides*** (Fam. Apiaceae) და ასევე მცირე კავკასიონისათვის ახალი მცენარე- *Comastoma dechyana* (Fam. Gentianaceae).

პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა 2 სტატიაზე, რომელთაგან პირველი ეხება საკვლევი ტერიტორიის ფლორას და მცენარეულობას, ხოლო მეორე საქართველოსთვის ჩვენს მიერ ნაპოვნი ახალი მცენარის (***Grammosciadium daucoides*** DC., Fam. Apiaceae=Umbeliferae) სისტემატიკასა და გეოგრაფიას. ასევე მცირე კავკასიონისათვის ახალ მცენარეს- კომოსტომას (***Comostoma dechyanum*** **(Somm & Levier) Holub, Fam. Gentianaceae).**

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2	" საქართველოს ატმოსფერულ ნალექებში მძიმე ლითონების შესწავლა ხავსების ბიომონიტორინგისა და ნეიტრონული აქტივაციური ანალიზის გამოყენებით"დარგი - ბოტანიკა, მიმართულება - ბიოლოგია	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, თბილისი, საქართველო.	თამაზ ყალაბეგიშვილი	თამაზ ყალაბეგიშვილი ელენე კირკასელი **შამილ შეთეკაური**

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, მუშაობა დაიწყო წინასწარ - 2014 წელს (პროექტი დაიწყო 2015 წელს), და ბოტანიკით დაინტერესებული სტუდენტების მონაწილეობით (ამჟამად 1 სტუდენტი სპეციალური მეთოდიკის ასათვისებლად გაგზავნილია დუბნას ფიზიკის ინსტიტუტში) მცირე და დიდი კავკასიონიდან შეგროვდა ხავსის ნიმუშები (გვარები: ***Pleurozium, Hylocomium, Mnium***) კვლევის შედეგად მიღებულ იქნა საინტერესო მონაცემები. თექვსმეტი ხავსის ნიმუში (***Hypnum cupressiforme*** Hedw. – 1; ***Hylocomium splendens*** Hedw. – 8 **Pleurozium schreberi** Brid. – 7) იყო შეგროვებული მცირე და დიდი კავკასიონის მაღალ- მთაში. იგი მთის გრადიენტში ფარავდა- მთისწინეთის,ტყის,სუბალპურ და ალპურ სარტყლებს 600მ–იდან 2665მ–ის ფარგლებში.

კონცენტრაცია Na, Mg, Al, Cl, K, Ca, Ti, V, Mn, Fe, Zn, As, Br, Rb, Mo, Cd, I, Sb, Ba, La, Sm, W, Au, U განისაზღვრება ნეიტრონული აქტივაციური ანალიზით ხავსებში, რომელთა ზრდის პერიოდია 2011–2014 წლები.
მიღებული შედეგების მრავალმხრივმა სტატისტიკურმა ანალიზმა არ გამოავლინა რაიმე სახის დაბინძურების წყარო კავკასიის მთების ამ ნაწილში,რაც აპრიორულია, რამეთუ ითვლება ეკოლოგიურად სუფთა რაიონად.
აღინიშნებოდა ყველა ელემენტის კონცენტრაციის ზრდა სიმაღლესთან ერთად.ეს ყველაზე თვალსაჩინო იყო დედამიწის ქერქის მსუბუქი და მძიმე ელემენტების შემთხვევაში.
ყველაზე აშკარა ახსნა იმისა რომ, დედამიწის ქერქის მინერალური ელემენტების კონცენტრაცია იზრდება ხავსებში სიმაღლესთან ერთად არის ის რომ თანდათანობით პარალელურად მცირდება მცენარეული საფარი. ეს ნიშნავს სიხშირის ზრდას იმ უნაყოფო ადგილებისა,საიდანაც ნიადაგის ნაწილაკები ქარის ეროზიით, ხვდება (შეიძლება დაჭერილი იყო) ხავსის ზედაპირზე, როგორც ეს უკვე აღნიშნული იყო არქტიკულ ეკოსისტემაში.
თუ შევადარებთ ხელმისაწვდომ ელემენტების კონცენტრაციებს,როგორიცაა V, Fe, Zn, As, და Cd, ერთსა და იმავე სიმაღლეზე (~ 2500 მ) ხავსებთან რომლებიც იყო შეგროვებული ალპებში, მონაცემები მეტყველებს იმაზე რომ იმ სამუშაოში სავარაუდოდ იყო არჩეული ისეთი საიტები, სადაც საკმარისი იყო მცენარეული საფარი,რაც ამცირებდა ეროზიას.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში გამოქვეყნებული მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**არნოლდ გეგეჭკორი**	"ეს არის საქრთველო“ („This is Georgia“) (ორენოვანი)	თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“.	526 გვ.

ანოტაციები ქართულ ენაზე

ნაშრომი წარმოადგენს წიგნ–ფოტო–ალბომს, სადაც 1200–მდე ავტორისეული ფერადი ილუსტრაციაა საქართველოს 3000 წლოვან კულტურაზე, ტრიადაზე – მამული, ენა, სარწმუნოება, ქვეყნის ყველა ისტორიულ ეთნოგრაფიულ კუთხეზე და ა. შ.

წიგნში შეტანილი საქართველოს უნიკალური ფლორისა და ფაუნის ყველა ღირსშესანიშნავი სახეობა (ენდემი, რელიქტი, ა. შ.), ქვეყნის ბიომები (ტყე, ნათელი ტყე, არიდული ბიომები, ა. შ.) The biomes of the country (forests, arid open woodland, another arid biomes, etc.) წარმოდგენილია სამენოვანი (ლათინურის ჩათვლით) ტერმინებითა და სათანადო განმარტებებით. ნაშრომი ინიცირებულია უცხოეთის ზოგიერთი საელჩოს მიერ, გათვალისწინებულია როგორც ქართველი, ისე განსაკუთრებით უცხოელი მკითხველისათვის. წიგნის რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორია გამოჩენილი

კინომოღვაწე, ბატონი რეზო ჩხეიძე.

ბ) საქართველოში გამოსაქვეყნებლად მომზადებული მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**შამილ შეთეკაური**	"მესხეთ -ჯავახეთის მაღალმთის ფლორა (მცირე კავკასიონი)"	თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“	320 გვ.
ანოტაციები ქართულ ენაზე				
დაზუსტდა მესხეთ-ჯავახეთის მაღალმთის ფლორის სახეობრივი შემადგენლობა. მოხდა სხვადასხვა ფლოროცენოზური კომპლექსების (ჰალოფიტები, მდელოები, ქსეროფიტები, პეტროფიტონი, მაღალბალახეულობა) მცენარეულობის თავისებურებათა დახასიათება; გაკეთდა სისტემატიკურ-გეოგრაფიული, ეკოტოპოლოგიური და სიმაღლებრივი გვრცელების კანონზომიერების ანალიზი; შედგა გამოკვლეული ტერიტორის მცენარეთა ჩეკლისთი. კვლევის პროცესში ნაპოვნი იქნა საქართველოსთვის ახალი მცენარე- ***Grammosciadium daucoides*** (Fam. Apiaceae) და ასევე მცირე კავკასიონისათვის ახალი მცენარე- *Comastoma dechyana* (Fam. Gentianaceae). პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა 2 სტატიაზე, რომელიც პირველი ეხება საკვლევი ტერიტორიის ფლორას და მცენარეულობას, ხოლო მეორე საქართველოსთვის ჩვენს მიერ ნაპოვნი ახალი მცენარის (***Grammosciadium daucoides*** DC., Fam. Apiaceae=Umbeliferae) სისტემატიკასა და გეოგრაფიას. ასევე მცირე კავკასიონისათვის ახალ მცენარეს-კომოსტომას (***Comostoma dechyanum* (Somm & Levier) Holub, Fam. Gentianaceae).** პროექტი მთავრდება 2016 წლის მარტში. ამჟამად, მიმდინარეობს მუშაობა პროექტისავე დასახელების მონოგრაფიაზე, რომელიც დაიბეჭდება 2016 წლის აპრილის ბოლოს.			

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2	**შამილ შეთეკაური**	"თუშ-ფშავ-ხევსურეთის ფლორა"	თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“.	350 გვ.
ანოტაციები ქართულ ენაზე				
შესწავლილია თუშეთის, ფშავისა და ხევსურეთის ფლორა და მცენარეულობა. საბოლოოდ დაზუსტდა ამ ისტორიულ-გეოგრაფიული რაიონის მცენარეთა სახეობები, რომელმაც შეადგინა 2200 –ზე მეტი სახეობა. ნაშრომში გაკეთებულია ამ რაიონების ფლორისტული მსგავსებისა და განსხვავების ანალიზი. შემუშავებულია			

ზოგიერთი იშვიათი და ენდემური სახეობისა და ბიომის დაცვის სტრატეგია. აქვეა გაკეთებული რეკომენდაციები დეგრადირებული ფერდობების ბიოლოგიური მეთოდებით აღდგენის შესახებ.

გ) საქართველოში გამოქვეყნებული სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	კერესელიძე ჯ, ოსიაშვილი ლ, ანთაძე ნ, გაგნიძე რ, **შეთეკაური შ,** ასეიშვილი ლ, ერაძე ნ.	ნარიყალას ეკოტურისტული მარშრუტის მცენარეთა მრავალფეროვნება, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი.		გამომცემლობა "უნივერსალი", თბილისი.	35 გვ.
ანოტაციები ქართულ ენაზე მარშრუტული მეთოდის გათვალისწინებით, მოვლილი იქნა ნარიყალას მიდამოებიდან არსებული გზაწვრილები, საიდანაც შესაძლებელია ბოტანიკური მარშრუტები სხვადასხვა მიმართულებით. ბროშურაში, თითეულ მარშრუტს თან ერთვის მცენარეთა ჩამონათვალი და მცენარეულობის ზოგადი დახასიათება. ბროშურა ფერადი ილუსტრაციებითაა, რაც საშუალებას მიცემს ვიზიტორებს ზოგადი წარმოდგენა შეექმნას თბილისის მიდამოების მცენარეთა მრავალფეროვნებაზე.					

დ) საქართველოში წარმოდგენილი პოსტერები

№	ავტორი/ ავტორები	პოსტერის სათაური	კონფერენციის ადგილი, თარიღი
1	**არნოლდ გეგეჭკორი**	კავკასიის ეკორეგიონი: ევქსინ(კოლხეთი)-ჰირკანის პროვინციაში შემავალი ქვეყნების ბიომრავალფეროვნების თავისებურებები (Patterns of biodiversity across the Caucasus Ecoregion: countries of Euxine-Hyrcanian	თსუ, თბილისი, საქართველო, 11.07.2015.

		Province). მეცნიერების ფესტივალი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.	

ანოტაციები ქართულ ენაზე

ბიომრავალფეროვნების კათედრის გამგემ, პროფ. არნ. გეგეჭკორმა, სხვა მნიშვნელოვან ნაშრომებთან ერთად, აშშ-ს ერთ-ერთ გამომცემლობასთან ხელშეკრულების საფუძელზე მოამზადა მონოგრაფია სახელწოდებით: „კავკასიის ბიომები: მრავალმხრივი ანალიზი“. იგი ეძღვნება IUCN–ს მიერ დედამიწის „ცხელ წერტილებად“ (Hotspots) აღიარებულ კავკასიის ეკორეგიონს, კასპიისპირა ირანისა და შავიზღვისპირა თურქეთის ჩათვლით. ნაშრომი შესრულებულია თითქმის 50 წლის განმავლობაში ჩატარებული ბიოგეოგრაფიული ხასიათს კვლევის საფუძველზე. მათში, სხვა საილუსტრაციო მასალებთან ერთად, გამოყენებულია ავტორისეული უნიკალური ფოტოსურათები. ისინი ასახავენ ეკორეგიონის გეომორფოლოგიურ თავისებურებებს, ლანდშაფტებს, ჰაბიტატებს, ბიოტას, განსაკუთრებით - რელიქტებსა და ენდემებს. ნაშრომი ინგლისურ ენაზე ორიგინალში შესრულებულია ავტორის მიერ. მონოგრაფიის გამოცემა გათვალისწინებულია 2016 წელს.

№	ავტორი/ ავტორები	პოსტერის სათაური	კონფერენციის ადგილი, თარიღი
2	**Sh. Shetekauri,** T. Shetekauri, A. Kvlividze, O. Chaligava, T. Kalabegishvili, E.I. Kirkesali, M.V. Frontasyeva, O. E. Chepurchenko.	The moss biomonitoring technique for assessing the environmental situation in Georgia. სანდიეგოსა და თსუ-ს კოლაბორაციის ფარგლებში.	თსუ, თბილისი, საქართველო, 2015, 4-5 სექტემბერი.

ანოტაციები ქართულ ენაზე

თექვსმეტი ხავსის ნიმუში (***Hypnum cupressiforme*** Hedw. – 1; ***Hylocomium splendens*** Hedw. – 8 **Pleurozium schreberi** Brid. – 7) იყო შეგროვებული მცირე და დიდი კავკასიონის მაღალ-მთაში. იგი მთის გრადიენტში ფარავდა- მთისწინეთის,ტყის,სუბალპურ და ალპურ სარტყლებს 600მ–იდან 2665მ–ის ფარგლებში.
კონცენტრაცია Na, Mg, Al, Cl, K, Ca, Ti, V, Mn, Fe, Zn, As, Br, Rb, Mo, Cd, I, Sb, Ba, La, Sm, W, Au, U
განისაზღვრება ნეიტრონული აქტივაციური ანალიზით ხავსებში,რომელთა ზრდის პერიოდია 2011–2014 წლები.
მიღებული შედეგების მრავალმხრივმა სტატისტიკურმა ანალიზმა არ გამოავლინა რაიმე

სახის დაბინძურების წყარო კავკასიის მთების ამ ნაწილში,რაც აპრიორულია, რამეთუ ითვლება ეკოლოგიურად სუფთა რაიონად.
აღინიშნებოდა ყველა ელემენტის კონცენტრაციის ზრდა სიმაღლესთან ერთად.ეს ყველაზე თვალსაჩინო იყო დედამიწის ქერქის მსუბუქი და მძიმე ელემენტების შემთხვევაში.
ყველაზე აშკარა ახსნა იმისა რომ, დედამიწის ქერქის მინერალური ელემენტების კონცენტრაცია იზრდება ხავსებში სიმაღლესთან ერთად არის ის რომ თანდათანობით პარალელურად მცირდება მცენარეული საფარი. ეს ნიშნავს სიხშირის ზრდას იმ უნაყოფო ადგილებისა,საიდანაც ნიადაგის ნაწილაკები ქარის ეროზიით, ხვდება (შეიძლება დაჭერილი იყო) ხავსის ზედაპირზე, როგორც ეს უკვე აღნიშნული იყო არქტიკულ ეკოსისტემაში.
თუ შევადარებთ ხელმისაწვდომ ელემენტების კონცენტრაციებს,როგორიცაა V, Fe, Zn, As, და Cd, ერთსა და იმავე სიმაღლეზე (~ 2500 მ) ხავსებთან რომლებიც იყო შეგროვებული ალპებში, მონაცემები მეტყველებს იმაზე რომ იმ სამუშაოში სავარაუდოთ იყო არჩეული ისეთი საიტები, სადაც საკმარისი იყო მცენარეული საფარის,რაც ამცირებდა ეროზიას.

II. 2. პუბლიკაციები:

ა) უცხოეთში გამოსაქვეყნებლად მომზადებული მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**არნოლდ გეგეჭკორი**	The biomes of the Caucasus Ecoregion and its two refugia: Colchis and Talysh	The USA, Nova Publishing House	400-ზე მეტი გვ.

ანოტაციები ქართულ ენაზე

კავკასიის ეკორეგიონი პირველად არის შესწავლილი ბიოგეოგრაფიული (ფლორისტული, ფაუნისტური, ეკოლოგიური, პალეონტოლოგიური და ა. შ.) თვალსაზრისით საკუთარი სველე-საექსპედიციო სამუშაოების ჩატარების საფუძველზე (ჩრდ. კავკასია, სამხრ. კავკასია, შავიზღისპირა თურქეთი, კასპიისპირა ირანი (ჰირკანი)). ნაშრომი შესრულებულია (დაწერილია) ინგლისურ ენაზე ავტორის მიერ. პირველად არის გაკეთებული კოლხეთის და თალიშის რეფუგიუმების შედარებითი ანალიზი.

ბ) უცხოეთში გამოქვეყნებული სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**Arnold Gegechkori,**	Has ever	Vol. 4, Issue Number 5.	The USA,	82-92

	Eter Didmanidze	Brahmaea ledereri Rogenhofer, 1873 inhabited the Colchis refugium? American Journal of Environmental Protection, *Science PG*.		Science Publishing Group	

ანოტაციები ქართულ ენაზე

ბიოგეოგრაფიული ფონი. ამიერკავკასიაში ორი რეფუგიული ცენტრია: კოლხეთი (შავი ზღვის სანაპირო ზოლის გასწვრივ) და ჰირკანი (კასპიის ზღვის სანაპირო ზოლის გასწვრივ). ევროპასა და აზიიდან, აგრეთვე მათი ცალკეული რეგიონიდან შემოსული ელემენტები ქმნიან ფლორასა და ფაუნას, კომბინირებულს კავკასიის რთულ და განსხვავებულ გეომორფოლოგიასთან (ლავრაზიული, გონდვანური). დიდი კავკასიონის ქედის არსებობამ, მისმა ინსულარობამ (იზოლირებულობამ) 100 მლნ წლის განმავლობაში (ცარცული პერიოდი), გამოიწვია ინტენსიური ტაქსონთწარმოშობა (სახეობის, გვარის დონეზე). ორივე რეფუგიუმისათვის, განსაკუთრებით კი პირველისათვის, ნიშანდობლივია საკმაოდ ერთგვაროვანი თერმული მაჩვენებელი. ორივე თავშესაფარი ხასიათდება არქტო-მესამეული წარმოშობის თერმოფილური დენდროფლორის (ხე-მცენარეები, ბუჩქები, ვაზი) უკიდურესი სიუხვითა და მრავალფეროვნებით. ნემორალური ბიოტისათვის ტიპური სახეობების გარდა, აქ გვხვდება ტროპიკულ-სუბტროპიკული წარმოშობის მეტად იშვიათი სახეობები, რომლებიც სამხრეთ კავკასიაში გადაშენდნენ მეოთხეული პერიოდის (დაახლოებით პლიოცენში) კლიმატური პირობების გაუარესების დროს. კლიმატის აცივებისა და ოროგრაფიულ-ტექტონიკური ცვლილებების პასუხად, ზოგიერთი იშვიათი გვარი შეიზღუდა ამიერკავკასიის ორივე რეფუგიუმში. მათი უმრავლესობა ამჟამად შემოფარგლულია ძირითადად ჰირკანის თავშესაფარში (ალბიზიის, გლედიჩიას, ლეოპარდის, მაჩვზღარბას სახეობები). მეოთხეული წარმოშობის უხერხემლოთა ფაუნის წარმომადგენლებს შორის აღსანიშნავია ნოქტიურნი ფარვანა - ბრამეა - *Brahmaea* Walker. რელიქტური ფარვანას ორ სახეობას შორის არეალის დაწყვეტამ (ვიკარიზმი) და ამასთან, ინტერდისციპლინურმა კვლევამ აჩვენა შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ დღემდე მიჩნეულია ბრამეას ფარვანას (*B. ledereri*) არსებობა კოლხეთში (შეტანილია ყველა დონის „წითელ ნუსხებში“), ჩვენი ინტერდისციპლინური კვლევით, აღნიშნული არ შეესაბამება სინამდვილეს - *B. ledereri* ისტორიულად არასოდეს არსებობდა კოლხეთში (განსხვავებით მეზობელი ცენტრალური და სამხრეთ ანატოლიის კრიპტული რეფუგიუმებისა). ამ კვლევამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა უცხოეთის სპეციალისტებსა და ბეჭდით გამოცემებში.

	ავტორები	ლის/კრებულის დასახელება	კრებულის ნომერი	ადგილი, გამომცემლობა	რაოდენობა
2	**Shetekauri Sh.,** Shetekauri T., Kvlividze A., Chaligava O., Kalabegishvili T., Kirkesali E.I. Frontasyeva M.V., Chepurchenko O.E.	Preliminary results of atmospheric deposition of major and trace elements in the Greater Caucasus mountains studied by the moss technique and neutron activation analysis, Annali Di Botanica Journal homepage: http://annalidibotanica.uniroma1.it	Ann. Bot. (Roma), 2015, 5.	Roma, Italy.	2015, 5: 89–95

ანოტაციები ქართულ ენაზე

თექვსმეტი ხავსის ნიმუში (***Hypnum cupressiforme*** Hedw. – 1; ***Hylocomium splendens*** Hedw. – 8 **Pleurozium schreberi** Brid. – 7) იყო შეგროვებული მცირე და დიდი კავკასიონის მაღალ-მთაში. იგი მთის გრადიენტში ფარავდა- მთისწინეთის,ტყის,სუბალპურ და ალპურ სარტყლებს 600მ–იდან 2665მ–ის ფარგლებში.
კონცენტრაცია Na, Mg, Al, Cl, K, Ca, Ti, V, Mn, Fe, Zn, As, Br, Rb, Mo, Cd, I, Sb, Ba, La, Sm, W, Au, U განისაზღვრება ნეიტრონული აქტივაციური ანალიზით ხავსებში,რომელთა ზრდის პერიოდია 2011–2014 წლები.
მიღებული შედეგების მრავალმხრივმა სტატისტიკურმა ანალიზმა არ გამოავლინა რაიმე სახის დაბინძურების წყარო კავკასიის მთების ამ ნაწილში,რაც აპრიორულია, რამეთუ ითვლება ეკოლოგიურად სუფთა რაიონად.
აღინიშნებოდა ყველა ელემენტის კონცენტრაციის ზრდა სიმაღლესთან ერთად.ეს ყველაზე თვალსაჩინო იყო დედამიწის ქერქის მსუბუქი და მძიმე ელემენტების შემთხვევაში.
ყველაზე აშკარა ახსნა იმისა რომ, დედამიწის ქერქის მინერალური ელემენტების კონცენტრაცია იზრდება ხავსებში სიმაღლესთან ერთად არის ის რომ თანდათანობით პარალელურად მცირდება მცენარეული საფარი. ეს ნიშნავს სიხშირის ზრდას იმ უნაყოფო ადგილებისა,საიდანაც ნიადაგის ნაწილაკები ქარის ეროზიით, ხვდება (შეიძლება დაჭერილი იყო) ხავსის ზედაპირზე, როგორც ეს უკვე აღნიშნული იყო არქტიკულ ეკოსისტემაში.
თუ შევადარებთ ხელმისაწვდომ ელემენტების კონცენტრაციებს,როგორიცაა V, Fe, Zn, As, და Cd, ერთსა და იმავე სიმაღლეზე (~ 2500 მ) ხავსებთან რომლებიც იყო შეგროვებული ალპებში, მონაცემები მეტყველებს იმაზე რომ იმ სამუშაოში სავარაუდოთ იყო არჩეული ისეთი საიტები, სადაც საკმარისი იყო მცენარეული საფარი,რაც ამცირებდა ეროზიას.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ-ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

3	**Shetekauri Sh.**	Botanical diversity of forest ecosystem of the lower part of the Enguri Basin (Upper Svaneti, Greater Caucasus)	vol. 13, no. 1.	Annals of Agrarian Sciences	84-89.

ანოტაციები ქართულ ენაზე

შესწავლილ იქნა ენგურის აუზის ქვედა წელის ტყის ეკოსისტემის ბოტანიკური მრავალფეროვნება; მოხდა ტყის ეკოსისტემის დენდროფლორისა და ბალახოვან მცენარეთა დეტალური ინვენტარიზაცია; აღირიცხა იშვიათი და ენდემური სახეობების (***Campanula engurensis, Valleriana jelenevskyi, Saxifraga subverticillata*** ლოკაციის ადგილები და განისაზღვრა მათი პოპულაციების სიცოცხლის უნარიანობა; ხაიშისა და ნენსკრას ხეობაში აღირიცხა რამოდენიმე ნეოფიტური მცენარე, რაც მიუთითებს მათ აშკარა ექსპანსიას ზემო სვანეთის მიწა-წყალზე.

გ) უცხოეთში წარმოდგენილი პოსტერები

№	ავტორი/ ავტორები	პოსტერის სათაური	კონფერენციის ადგილი, თარიღი.
1	**S. Shetekauri,** T. Shetekauri, A. Kvlividze, O. Chaligava, T. Kalabegishvili, E. I. Kirkesali, M. V. Frontasyeva, O. E. Chepurchenko	Preliminary results of atmospheric deposition of major and trace elements in the Greater Caucasus mountains studied by the moss technique and neutron activation analysis. სანდიეგოსა და თსუ-ს კოლაბორაციის ფარგლებში.	Roma, Italy, 2015.

ანოტაციები ქართულ ენაზე

თექვსმეტი ხავსის ნიმუში (***Hypnum cupressiforme*** Hedw. – 1; ***Hylocomium splendens*** Hedw. – 8 **Pleurozium schreberi** Brid. – 7) იყო შეგროვებული მცირე და დიდი კავკასიონის მაღალ-მთაში. იგი მთის გრადიენტში ფარავდა- მთისწინეთის,ტყის,სუბალპურ და ალპურ სარტყლებს 600მ–იდან 2665მ–ის ფარგლებში.
კონცენტრაცია Na, Mg, Al, Cl, K, Ca, Ti, V, Mn, Fe, Zn, As, Br, Rb, Mo, Cd, I, Sb, Ba, La, Sm, W, Au, U
განისაზღვრება ნეიტრონული აქტივაციური ანალიზით ხავსებში,რომელთა ზრდის პერიოდია 2011–2014 წლები.

მიღებული შედეგების მრავალმხრივმა სტატისტიკურმა ანალიზმა არ გამოავლინა რაიმე სახის დაბინძურების წყარო კავკასიის მთების ამ ნაწილში,რაც აპრიორულია, რამეთუ ითვლება ეკოლოგიურად სუფთა რაიონად.
აღინიშნებოდა ყველა ელემენტის კონცენტრაციის ზრდა სიმაღლესთან ერთად.ეს ყველაზე თვალსაჩინო იყო დედამიწის ქერქის მსუბუქი და მძიმე ელემენტების შემთხვევაში.
ყველაზე აშკარა ახსნა იმისა რომ, დედამიწის ქერქის მინერალური ელემენტების კონცენტრაცია იზრდება ხავსებში სიმაღლესთან ერთად არის ის რომ თანდათანობით პარალელურად მცირდება მცენარეული საფარი. ეს ნიშნავს სიხშირის ზრდას იმ უნაყოფო ადგილებისა,საიდანაც ნიადაგის ნაწილაკები ქარის ეროზიით, ხვდება (შეიძლება დაჭერილი იყო) ხავსის ზედაპირზე, როგორც ეს უკვე აღნიშნული იყო არქტიკულ ეკოსისტემაში.
თუ შევადარებთ ხელმისაწვდომ ელემენტების კონცენტრაციებს,როგორიცაა V, Fe, Zn, As, და Cd, ერთსა და იმავე სიმაღლეზე (~ 2500 მ) ხავსებთან რომლებიც იყო შეგროვებული ალპებში, მონაცემები მეტყველებს იმაზე რომ იმ სამუშაოში სავარაუდოთ იყო არჩეული ისეთი საიტები, სადაც საკმარისი იყო მცენარეული საფარის,რაც ამცირებდა ეროზიას.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**არნოლდ გეგეჭკორი**	განსხვავებით ჰირკანის რეფუგიუმისაგან ყოფილა ოდესმე *Brahmaea ledereri* Rogenh. კოლხეთის რეფუგიუმში? მესამე სამეცნიერო საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში	2-6 თებერვალი, 2015 წელი, თსუ, XI კორპუსი

		conference.ENS-2015.tsu.ge	

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

მეოთხეული რეფუგიუმების ნებისმიერი ენდემური და რელიქტური სახეობა გამორჩეულად საინტერესოა ბიოლოგებისა და ბიოგეოგრაფებისათვის. უდიდესია მათი როლი კონსერვაციულ ბიოლოგიაში (Mayers et al. 2000). კოლხეთმა შემოინახა მესამეული პერიოდის სახეობებით გამდიდრებული რელიქტური ბიოტა. ცხოველთა სამყაროდან ყურადღებას იმსახურებს უნიკალური (რელიქტური) სახეობები. კავკასიის გეოლოგიურ წარსულში (ოლიგოცენი, მიოცენი) ასეთები ფართოდ იყვნენ წარმოდგენილები დასავლეთ ევრაზიის ტროპიკებსა და სუბტროპიკებში, რომლებიც მოგვიანებით (შუა პლიოცენი) შეიცვალა ზომიერი კლიმატითა და შესატყვისი სარტყლით. ამიერკავკასიის კოლხეთისა და ჰირკანის რელიქტური და ენდემური ფარვანებიდან (ღამის „პეპლები“) ყურადღებას იქცევს გვარი *Brahmaea* Walker. დღემდე მიჩნეული იყო, რომ კოლხეთსა და ჰირკანში წარმოდგენილია ორი რელიქტური სახეობა: *B. ledereri* Rogenh. და *B. christophi* Staud. ეს სახეობები, შექმნილი დიზუნქციური არეალის გამო, დიდ ინტერესს იწვევნენ ბიოგეოგრაფიული თვალსაზრისით (Gegechkori 2011a, 2012a). უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ კოლხეთის სტენოპალეოენდემი *B. ledereri*-ის დღემდე ერთობ პრობლემური სახეობაა მოცემული რეფუგიუმისათვის. ბოლოდროინდელი კვლევებით (Gegechkori 2015-2016, in press), როგორც ჩანს, ამ სახეობის არსებობა შავი ზღვის სანაპიროს მიმდებარე ტერიტორიებიდან (საქართველო, თურქეთი) როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში, ისე წითელ წიგნებსა და წითელ ნუსხებში არამართებულად არის მოყვანილი. სათანადო, კომპლექსური კვლევა-ძიებით დადგინდა, რელიქტური ფარვანა - *B. ledereri* არასოდეს ბინადრობდა კოლხეთის რეფუგიუმში (დასავლეთ საქართველო და მომიჯნავე ლაზისტანის რეგიონი თურქეთში). კვლევის ეს შედეგი (ლიტერატურული წყაროები, საკუთარი დაკვირვებები ჰირკანში, ანატოლიის ზეგანსა და კოლხეთში), გასათვალისწინებელია ადგილობრივ თუ რეგიონულ წითელ წიგნებში.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
2	**ნანა ბარნაველი**	მესხეთ-ჯავახეთის გვარ Rosa-ს (ოჯ. Rosaceae) ენდემური და კავკასია-ანატოლიის სახეობები მესამე სამეცნიერო საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში	2-6 თებერვალი, 2015 წელი, თსუ, XI კორპუსი

		conference.ENS-2015.tsu.ge	

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

მესხეთ-ჯავახეთის ისტორიულ-გეოგრაფიული (ამავდროულად ფლორისტული) რაიონი მდებარეობს საქართველოს სამხრეთ ნაწილში (მცირე კავკასიონი). მოხსენების ტექსტში განხილულია დასახელებული გეობოტანიკური რაიონის ბუნებრივი ზონები, ეკოსისტემები, ასკილების გავრცელების არეალი და ჰაბიტატები. აღნიშნულ რაიონში ჰავა კონტინენტურია. სამხრეთ ანატოლიის ქსეროფიტული მცენარეულობის გავლენა კარგად ჩანს ამ მხარის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც ხელსაყრელი ფიზიკო-გეოგრაფიული პირობების გამო სამხრეთ ანატოლიის ტიპები ჩრდილოეთით საკმაოდ დიდ მანძილზე ვრცელდება. ასკილები იზრდება ტყისპირებსა და ქვანაშალ ღორღიანებზე, ძირითადად მთის შუა და ზედა სარტყელში, ზოგიერთი მათგანი სუბალპურშიც. ამ რეგიონში საქართველოში გავრცელებული ასკილის 33 სახეობიდან 13 სახეობა გვხვდება. მესხეთ-ჯავახეთში გავრცელებული ასკილის 13 სახეობიდან 2 მათგანი საქართველოს და კავკასიის ენდემია, ხოლო 4 კავკასია-ანატოლიის სახეობა. საქართველოს ენდემი Rosa transcaucasica Manden. კავკასიის ენდემი Rosa teberdensis Chrshan. კავკასია-ანატოლიის სახეობებია: Rosa boissieri Crep.; Rosa woronowii Lonacz.; Rosa mollis Smith.; Rosa iberica Stev.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
3	**ზელიმხან კერესელიძე**	საგარეჯოს სათევზმეურნეო ტბორების ჰიდრობიოლოგიური გამოკვლევისათვის მესამე სამეცნიერო საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში conference.ENS-2015.tsu.ge	2-6 თებერვალი, 2015 წელი, თსუ, XI კორპუსი

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

რეზიუმე ტბორების ჰიდროქიმიური და ჰიდროლოგიური რეჟიმისათვის დამახასიათებელია დაბალი გამჭირვალობა, ჰომოთერმია, წყლის სუსტი ტუტე რეაქცია, ჟანგბადის მაღალი შემადგენლობა; ზაფხულის პერიოდში ნახშირორჟანგისა და ჟანგვადობის მომატება, ბიოგენური ელემენტების დაბალი შემცველობა. წყალი განეკუთვნება სულფატურ კლასს და მაგნიუმიან ჯგუფს. ტბორებში დარეგისტრირებულია ფიტოპლანქტონის 154 სახეობა. პირველადი პროდუქციის დაბალი დონე აიხსნება ბიოგენური ელემენტების უმნიშვნელო რაოდენობით.

ზოოპლანქტონში გაბატონებულია მტკნარი წყლის ევრიბიონტური ფორმები (სულ 19 სახეობა), ზოობენთოსი წარმოდგენილია ხირონომების ორი სახეობით.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
4	**შამილ შეთეკაური**	ჰაიდელბერგცემენტის კარიერების ბოტანიკური მრავალფეროვნება საქართველოში (დედოფლისწყარო, კავთისხევი, გარდაბანი) მესამე სამეცნიერო საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში conference.ENS-2015.tsu.ge	2-6 თებერვალი, 2015 წელი, თსუ, XI კორპუსი

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

ჰაიდელბერგემენტის კარიერები აღმოსავლეთ საქართველოში დედოფლისწყაროს, კასპისა და გარდაბნის ტერიტორიებზეა წარმოდგენილი. ეს რაიონები ერთმანეთისგან განსხვავებულია, როგორც ედაფური და კლიმატური პირობებით, ისე ფლორისა და მცენარეულობის მრავალფეროვნებით. ჰაიდელბერგცემენტის დედოფლისწყაროს კარიერის მიდამოებიდან ჩვენ აღვრიცხეთ 300-ზე მეტი მცენარის სახეობა. აქედან 260-მდე სახეობა ბალახოვანი მცენარეებია, ხოლო დანარჩენი კი ხეები და ბუჩქები. ბოტანიკურად განსაკუთრებით საინტერესოა თამარის ციხისა და ხორნაბუჯის უბანი. აქ ერთმანეთის გვერდით კარგადა გამოხატული სხვადასხვა ჰაბიტატები: 1. ტყის, 2. ბუჩქნარის, 3. ტყე-ბუჩქნარის, 4. მდელოს, 5. ტყე-კლდის, 6. კლდეების, 7. ნაშალების, 8. კლდე-ნაშალების, 9. ტყე-მდელოს და სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია დენდროფლორის სახეობათა ტაქსონომიური ნაირგვაროვნება. ამ პატარა მონაკვეთში ხეებისა და ბუჩქების თითქმის ყველა სახეობა გვხვდება, რომელიც ქიზიყის ტერიტორიაზეა გავრცელებული გარდა წიფელისა. თამარის ციხის მიდამოებში, რცხილნარის ტყეში ჩვენს მიერ ნანახი იქნა *Orobance lutea*, რომელიც მანამდე ქიზიყის ფლორისათვის არ იყო მითითებული. კავთისხევის კირქვიანი კარიერის მიდამოებიდან აღირიცხა 200-მდე სახეობის მცენარე. ბოტანიკური კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ ეს ტერიტორია ფლორის მრავალფეროვნებით დედოფლისწყაროს კირქვის კარიერის მიდამოებს ჩამორჩება. ამას პირველ რიგში განაპირობებს ბუნებრივ მცენარეულობაზე ხანგრძლივი ანთროპოგენური ზემოქმედება. ბედლენდებზე, დამლაშებულ და თაბაშირიან ნიადაგებზეა განვითარებული ჰალოფილური მცენარეულობა. მათგან აღსანიშნავია: *Reamuria alternifolia, Kochia prostrata,*

Suaeda dendroides, Salsola dendroides, Nitraria schoberi, Atriplex cana, Amberboa moschata (= A. glauca), Stachys fruticulosa, Astragalus cyri, Artemisia lerchiana და სხვა. ეს მცენარეები ამავე დროს ტიპიური ნახევარუდაბნოების კონსტანტური სახეობებია და ხასიათდებიან ფრაგმენტული გავრცელებით. ბოტანიკურად გარდაბანი საკმაოდ ღარიბია და მნიშვნელოვნად ჩამორჩება დედოფლისწყაროსა და კავთისხევს. აქედან აღრიცხულია მხოლოდ 200-მდე სახეობის მცენარე. გარდაბნის თიხის კარიერის მიდამოები სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს და დასახლებულ პუნქტს (სოფელი ნაგები) წარმოადგენს. აქაური მცენარეულობა ძლიერ ანთროპოგენურია. ძველი კარიერის ფარგლებში მხოლოდ მეორადი ტრივიალური და რუდერალური მცენარეებია გავრცელებული (*Adonis aestivalis, Balota nigra, Cardaria draba, Chenopodium album, Euphorbia iberica, Eryngium campestre, Hyosciamus niger, Malcomia Africana, Sisymbrium loeseli, Xanthium spinosa, Xanthium strumarium*). 2012 წლის არე გაზაფხულზე ჩვენს მიერ მდ. მტკვირს მარჯვენა მხარეს სოფ. გაჩიანის ზემოთ მშრალ ფერდობებზე ნაპოვნი იქნა ქართული ზამბახი (*Iris iberica*); ეს იშვიათი მცენარე მანამდე გარდაბნის ისტორიულ-გეოგრაფიული რაიონისათვის ცნობილი არ იყო.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
5	**Arnold Gegechkori**	Mediterranean enclaves along the Black Sea coastal regions (within the Caucasus Ecoregion). International Conference “Applied Ecology: problems, innovations”, ICAE – 2015. p. 60.	7-10 May, 2015. Tbilisi-Batumi. Iv. Javakhishvili Tbilisis State University, Faculty of Exact and Natural Sciences, Department of Geography, Institute of Applied Ecology, FENS, TSU.

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

ყველაზე მნიშვნელოვან კრიზისს ხმელთაშუა ზღვის უახლოეს ისტორიაში ადგილი ჰქონდა პლიოცენის დასაწყისში (მესინური კრიზისი). სამეცნიერო ლიტერატურაში ამ უკანასკნელს “the Messinian Salinity Crisis” (MSC) ეწოდება. მსოფლიოს ხუთი ხმელთაშუაზღვიური ტიპის კლიმატი ხასიათდება ზაფხულის მშრალი თვეებითა, და გრილი, ტენიანი ზამთრით. ხმელთაშუაზღვიური ტიპის მცენარეულობა ხასიათდება სათანადო შეგუებულობით გვალვის მიმართ (ძირითადად სკლეროფიტიზაცია). საკუთრივ ხმელთაშუაზღვიური ქვეყნები გამორჩეულია ჭურჭლოვანი მცენარეების ბიომრავალფეროვნების უაღრესად მაღალი დონით (22.500 სახეობა). დღეისათვის ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ქვეყნები და რეგიონები წარმოადგენილია მარადმწვანე მაკვისის ტიპის მცენარეული თანასაზოგადოებებით (დომინატებია: *Olea, Quercus, Arbutus, Erica),* აგრეთვე ზღვისპირა ფიჭვების (*Pinus*) ვიკარიანტული სახეობებით. ხმელთაშუა ზღვის ინკლავების, ე. წ. წრეევქსინური წყვეტილობა (დიზუნქცია) შავი ზღვის ქვეყნებში არაერთმა მკვლევარმა შეისწავლა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ვ. პ. მალეევი, რომელმაც ფუნდამენტური ნაშრომი მიუძღვნა მოცემულ

საკითხს (1940). მაკვისის ელემენტები (*Arbutus andrachne, Erica arborea, Cistus* spp.) და ზღვისპირა ფიჭვი *Pinus pinea.* ევქსინის რეგიონში შემორჩა მხოლოდ რელიქტურ, დაცალკევებულ ნიშებში, ვიწრო ზოლის სახით, მაგალითად, შავი ზღვის თურქეთის სანაპიროს გასწვრივ. ნოვოროსიისკისა და ანაპას (რუსეთი) შორის ბიოტა წარმოდგენილია მაკვისის გაღარიბებული ვარიანტებით - *Juniperus*-ის, *Pistacia*-ს სახეობებით. თურქეთის მსგავსად, საქართველოში (ბიჭვინთის კონცხი) პირველადი მაკვისის დერივატები წარმოდგენილია შემდეგი სახეობებით: *Arbutus andrachne*, *Erica arborea* და *Cistus spp.* სახით, აგრეთვე *Pinus brutia var. pityusa.* რელიქტურ რაყას ქმნის *Arundo donax* - ტროპიკული წარმოშობის ლერწამი. და ბოლოს, აღსანიშნავია შუახევის რაიონის (აჭარა) ფიტოკომპლექსის უძველესი კავშირი ხმელთაშუაზღვიურ ფლორასთან. აქ, დაახლოებით 700 მ. ხმელთაშუაზღვიური ხემარწყვა (*Arbutus andrachne*) შერეულია თერმოფილური მუხის (*Quercus dshorochensis*), ფიჭვის (*Pinus kochiana*) ტყეებსა და *Cistus salviifolia*-ს ბუჩქნართან; ამ ფიტოცენოზის მახლობლად კი კიდევ ერთი ხმელთაშუა ზღვიური რელიქტის *Osmanthus decorus*-ის კორომია წარმოდგენილი. ეს უკანასკნელი სამხრეთ კოლხეთის ფსევდომაკვისის ყველაზე გაღარიბებული კორომი, ანუ მიკრორეფუგიუმია. ხმელთაშუაზღვიური ბიოგეოგრაფიული რეგიონის მრავალმხრივი კვლევა ჩატარებულ იქნა ფსილიდების (Hemiptera, Psylloidea) ფაუნისა და მისი ინფილტრაციის შესწავლის პროცესში, ცირკუმ-ევქსინის ქვეყნების მასშტაბით არნ. გეგეჭკორის მიერ (Gegechkori, 1984, 1985, 2004). ამ შემთხვევაშიც ფსილოდეას საკუთრივ ხმელთაშუა ზღვისეული ქვეყნების ტრიბის - Arytaininini მნიშვნელოვანი ინფილტრაცია დადგინდა - საკუთრივ ხმელთაშუა ძღვის ქვეყნებიდან ცნობილი 200-მდე სახეობიდან საქართველოს ფარგლებში (მესხეთი) მხოლოდ ერთი სახეობა - *Amblyrhina cognata* ვრცელდება. ხმელთაშუაზღვის მაკვისისა და მისი თანამდევი ფაუნის მსგავსი გაღარიბება შავი ზღვისპირა რეგიონებში გამოწვეულია პლიო-პლეისტოცენური კლიმატის მნიშვნელოვანი ცვლილებით - აცივება და გამყინვარება.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
6	**Arnold Gegechkori**	The phenomenon of Blumenbach's "Caucasian race", Ivane Javakhishvili State University, Vakhushti Bagrationi Institute of Geography, Alexander Javakhishvili Geographical Society of Georgia, *International Scientific Conference "Modern problems of Geography and Anthropology".*	22-23 October, 2015, TSU, Tbilisi.
მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე			

ტერმინს - „კავკასიური რასა“ მიეძღვნა არაერთი სამეცნიერო თუ პოპულარული ლიტერატურა. ლიტერატურულ წყაროებში ყურადღება გამახვილებულია ტერმინის ეტიმოლოგიურ ასპექტებზე - როგორც ბიოლოგიური, ისე სოციო-პოლიტიკური კონტექსტის თვალსაზრისით. მოცემული პუბლიკაცია ეძღვნება მეცნიერებას რასობრივი თეორიის წარმოშობასა და განვითარების შესახებ („კავკასიური რასის“ ჩათვლით). როგორც ცნობილია, იგი ჩაისახა ძირითადად ევროპის საგანმანათლებლო ეპოქაში (მე-18 საუკუნე). ზოოლოგიური ტაქსონომიის ფუძემდებელმა კარლ ლინემ, გარდა ორგანული სამყაროს ტაქსონომიური კვლევისა (*Systema Naturae*, 1735-1788), ბიძგი მისცა ანთროპოლოგიურ კვლევა-ძიებებსაც. მან გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა და შესაბამისი კლიმატის მიხედვით, და აღნიშნულის საფუძველზე კანის ფერის ფენოტიპის მიხედვით, ადამიანი (*Homo sapiens*) დაყო 4 „ვარიეტეტად“. მიუხედავად ამისა, სამეცნიერო ლიტერატურაში „ანთროპოლოგიის მამად“ გერმანელი მეცნიერი ჯ. ფ. ბლუმენბახი ითვლება (1752-1840). მისი შრომა ‘*De generis humani varietate nativa*’ (1775), მოგვიანებით ინგლისურად ითარგმნა და ორჯერ იქნა შევსებული (1781, 1795). ეს კვლევა ერთგვარ „კოპერნიკისეულ შემობრუნების“ (‘Copernican turn’) ტოლფას მოვლენას წარმოადგენს ადამიანის ანთროპოლოგიურ შესწავლაში. მისი „კაცობრიობის ბუნებრივი ვარიეტეტები“ (‘On the Natural Varieties of Mankind’) ეფუძნება ადამიანის სამოცი ქალას (cranium) კოლექციას, რომელიც მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხიდან იყო მოპოვებული. მათ შორის იყო ქართველი ახალგაზრდა ქალის ქალა, გაგზავნილი 1772 წელს რუსეთიდან (სანკტ-პეტერბურგი). განსხვავებით ლინესაგან, ბლუმენბახმა თავის ქალების კოლექციის საფუძველზე, გამოყო ხუთი ძირითადი ვარიეტეტი (რასა). იგი თავის ქალებს ზომავდა გეომეტრიულ-ხაზობრივი ნიშნებისა და კუთხეებს მიხედვით, მათ შორის შუბლსა და ყვრიმალის ძვლებს, ყბის ძვალსა და მის კუთხეებს, კბილებს, სახეს პროფილში და ა. შ. ადამიანის კანის ფერი თამაშობდა უფრო მეტ როლს მისი შრომის მესამე გამოცემაში (1795). ბლუმენბახმა მეორე გამოცემაში (ნაცვლად ოთხისა, 1775 წელი) გამოყო ხუთი რასა: კავკასიური (თეთრი რასა), მონღოლოიდური (ყვითელი რასა), მალაიური (ყავისფერი რასა), ეთიოპიური (შავი რასა), და ამერიკული (წითელი რასა). რაც შეეხება კავკასიურ რასას, ანუ *Varieties Caucasia*, მეცნიერმა ეს სახელწოდება შემოიღო სამხრეთ კავკასიის რეგიონში მცხოვრები კავკასიელი ხალხის მიხედვით. იგი წერდა: „კავკასიური ვარიეტეტი - ამ ვარიეტეტის სახელი ავიღე კავკასიიდან (დიდი კავკასიონის ქედი - ა. გ.), განსაკუთრებით მისი სამხრეთი კალთებიდან, რომელიც დასახლებულია ადამიანის ყველაზე ლამაზი რასით, მე ვგულისხმობ ქართველებს. ეს არის რეგიონი, რომელიც, დიდი ალბათობით, არის ადამიანთა მოდგმის წარმოშობის ადგილი“ (ავტოქტონური არეალი - ა. გ.). ქართველი ქალის თავის ქალის აღწერისას ბლუმენბახი წერდა: „ჩემი ლამაზი ტიპური თავი ახალგაზრდა ქართველი ქალისა თვალს იტაცებს თითოეულ მნახველში...“ (Blumenbach, 1795). მაშასადამე, მეცნიერმა ქართველის თავის ქალა მიიჩნია თეთრი რასის არქეტიპად (ეპიტომად). უკვე XIX, განსაკუთრებით კი XX საუკუნეში, როდესაც ტერმინმა „რასამ“ ანთროპოლოგიურ-ბიოლოგიური გაგებიდან სოციალურ-პოლიტიკური დატვირთვა მიიღო (ჩემბერლენი; ფაშისტური გერმანია), ბლუმენბახის „რასობრივმა თეორიამ“ ერთგვარი უსამართლო დისკრიმინაცია განიცადა. მაგალითად, „ბლუმენბახი აიგივებს ევროპულ სილამაზეს (როგორც რასისა), ევროპულ ნარცისიზმთან, და ასევე კვაზიმეცნიერულ ტერმინთან „რასა“, რომელიც დღეისათვის ცნობილია, როგორც თეთრი რასა“ (Painter, 2011). საბედნიეროდ, სულ ბოლო დროს,

მსგავსი გესლიანი გამოხტომები, რისი საფუძველიც დეფორმირებული „მეცნიერული“ მიმდინარეობა - ევგენიზმი იყო (რაც საფუძვლად დაედო კიდეც ფაშისტურ იდეოლოგიას), შეწყდა და ბლუმენბახისეული ანთროპოლოგია თავის მეცნიერულ ღირებულებას კვლავ იღდგენს. რაც შეეხება „ჩემს ლამაზ ქართველი ქალის თავის ქალას“, იგი, ცხადია, დღევანდელი გადასახედიდან რამდენადმე სუბიექტურია, თუმცა ეს არ არის ბლუმენბახის „პრობლემა“, XVIII საუკუნეში მის მდიდარ ანთროპოლოგიურ კოლექციაში ყველაზე სიმეტრიული განზომილების (რაც დღეს IQ-სთან არის დაკავშირებული) ქალა, ქართველისა აღმოჩნდა. ბლუმენბახისეულ შეხედულებას ხელს უწყობდა კავკასიიდან ქართველი და ჩერქეზი მშვენიერი ქალბატონების მონებად გატაცება და უცხოეთში გაყიდვა. მათ სილამაზეს თვით ლორდმა ბაირონმა ლექსის დიდებული სტრიქონები მიუძღვნა.

P. S. პროფ. არნ. გეგეჭკორმა აღნიშნული მოხსენებისათვის ანთროპოლოგიის დარგში საქართველოს ანთროპოლოგიური საზოგადოებისაგან სპეციალური სერთიფიკატი დაიმსახურა.

- 2015 (30.12.) წელს პროფ. არნოლდ გეგეჭკორს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში 35 წლის განმავლობაში ნაყოფიერი თანამშრომლობისა და სამეცნიერო კვლევებში შეტანილი წვლილისათვის საპატიო „სიგელი“ გადაეცა.
- პროფესორი არნოლდ გეგეჭკორი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ საერთაშორისო კონგრესში - ,,გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები“ (22-25.10.2015) მონაწილეობისათვის (ანთროპოლოგიის კუთხით წაკითხული მოხსენებისათვის) დაჯილდოვდა სერტიფიკატით.
- პროფ. არნოლდ გეგეჭკორი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი ბიომეცნიერებების“ სამაგისტრო პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის „ტემპუსის“ (European Commission Tempus (ესპანეთი, საბერძნეთი, დიდი ბრიტანეთი) პროგრამით სათანადო „დიპლომით“ დაჯილდოვდა.

- პროფ. არნოლდ გეგეჭკორი 22-24.06.2016 წლის ივნისში სამხრეთ კორეაში - ,,ბუნებრივი მასალების კვლევისადმი (CC3DMR) მიძღვნილ კონფერენციაში მიწვეულია პლენარული მოხსენების სტატუსით.

- პროფ. არნოლდ გეგეჭკორს 2015 წელს შესთავაზეს ჟურნალ - ,,Modern Environmental Science and Engineerig" -ის რეცენზენტის სტატუსი ან სარედაქციო კოლეგიის წევრობა (07.21.2015).

- პროფ. არნოლდ გეგეჭკორს 2015 წელს ,,მსოფლიო მეცნიერებაში შეტანილი წვლილისთვის, რაც საყოველთაოდ აღიარებულია" გამომცემლობა ,,Inter GING"-მა და სამეცნიერო ჟურნალმა - ,,Deutceh wissenchaftsherold- მა შესთავაზეს სარედაქციო კოლეგის წევრობა (,,გვაქვს პატივი მიგიწვიოთ სარედაქციო კოლეგიის წევრად") (07.25.2015).

- პროფ. არნოლდ გეგეჭკორს 2015 წელს უცხოეთის, ძირითადად აშშ-ს გამომცემლობებმა - 14 დასახელების - აღნიშნულ წელს გამოქვეყნებული შრომების საფუძველზე შესთავაზეს პუბლიკაციების გამოქვეყნება

მცენარეთა ფიზიოლოგიის მიმართულება

* **მარიამ გაიდამაშვილი** (მიმართულების ხელმძღვანელი)

* პერსონალი - მარიამ გაიდამაშვილი (ასოცირებული პროფესორი)

ეკა ხურციძე (ლაბორანტი)

V. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის
დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
(ეხება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

V. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	"საქართველოს იშვიათი და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი მერქნიანი	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	მარიამ გაიდამაშვილი	ეკა ხურციძე ანა გოგიჩაიშვილი თინა ბარბლიშვილი ია ანთია

	მცენარეების კონსერვაცია *ინ ვიტრო* ტექნოლოგიის გამოყენებით". AR/95/9-250/13			
საკონსერვაციო სახეობების ტაქსონომიური დახასიათებისათვის და ვერიფიკაციისათვის შევისწავლეთ სამიზნე სახეობების შესახებ ბოტანიკური ლიტერატურა, ინტერნეტ-რესურსები, საჰერბარიუმო ნიმუშები (მათ შორის ვირტუალური ჰერბარიუმები). გავეცანით ლიტერატურაში არსებულ და საჰერბარიუმო მონაცემებს სამიზნე სახეობების ბუნებრივი გავრცელების არეალების შესახებ (საქართველოს ეროვნული ჰერბარიუმი, ეროვნული მუზეუმის ჰერბარიუმი), საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა ინ ვიტრო ტექნოლოგიით გამრავლებისათვის ვეგეტატიური ნაწილების და თესლების მოპოვება. მოვიპოვეთ ინფორმაცია სახეობების ვეგეტაციის (ყვავილობის და ნაყოფობის პერიოდების) შესახებ და შევადგინეთ ცოცხალი მცენარეული მასალის მოპოვების გეგმა. შევისწავლეთ საქართველოს ბოტანიკური ბაღების კატალოგები. ორგანოგენეზი (ორგანოთა წარმოქმნის პროცესი) და მცენარის სრული რეგენერაცია მიღწეული იქნა წაბლის, და ნუშის ემბრიონული კულტურებიდან, თურანულას ყლორტის კულტურიდან.				

II. 1. პუბლიკაციები:
ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მარიამ გაიდამაშვილი, ეკა ხურციძე	In vitro კულტივირების პირობების შემუშავება გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი არყის (Betula spp.) სახეობებისთვის	სატყეო მოამბე N9, pp28-31. (**2015**)	თბილისი ISSN 1512-00546	4
მრავალი იშვიათი სახეობისათვის ქსოვილთა კულტურის მეთოდი წარმოადგენს გამრავლების უფრო საიმედო პროცესს ვეგეტატიურ გამრავლებასთან ან თესლით რეპროდუქციასთან შედარებით. მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენდა ეფექტური *in vitro* გამრავლების მეთოდის შემუშავება გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი Betulaceae ოჯახის სახეობებისათვის, რომლის გამოყენება შესაძლებელი იქნება არყის რამდენიმე გენოტიპის მიმართ.					

II. 2. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Mariam Gaidamashvili, Eka Khurtsidze, Tinatin Barblishvili	Micropropagation of Threatened Betula Species for *in vitro* conservation.	Proceedings of International Conference on Plant, Marine and Environmental Sciences (PMES-2015).	Kuala Lumpur (Malaysia).	4
2	Mariam Gaidamashvili, Eka Khurtsidze,	Mitogenic Activity of Mulberry Lectin (Morus alba L.) on Human Peripheral Blood Lymphocytes.	Proceedings of International Conference on Plant, Marine and Environmental Sciences (PMES-2015).	Kuala Lumpur (Malaysia).	3
3	Mariam Gaidamashvili, Eka Khurtsidze	Development and Use of Embryo Culture for Micropropagation of Threatened Woody Species.	Proceedings of Tree Biotechnology Conference “Forests: the importance to the planet and society”. IUFRO 2015	Florence (Italy).	2

1. საიმედო ინ ვიტრო მეთოდოლოგიის განვითარებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება იშვიათი და გადაშენების მცენარეთა სახეობების კონსერვაციაში რაც ამავდროულად ამცირებს ზეწოლას ბუნებრივ პოპულაციებზე და უზრუნველყოფს ბიომასის. დაჩქარებულ ზრდას. წინამდებარე კვლევა აჯამებს ინ ვიტრო გამრავლების ტექნიკას Betula გვარისათვის. ფართომასშტაბიანი გამრავლების მიზანშეწონილობა განიხილება გენეტიკური რესურსების და ტყის ეკოსისტემების ეფექტური კონსერვაციის მიზნით.

2. ქართული თუთის გალაქტოზა-სპეციფიკური ლექტინის მიტოგენური აქტივობა განსაზღვრული იქნა ჯანსაღი და ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემიის

დაავადებული ადამიანის პერიფერიული სისხლის ლიმფოციტების მიმართ. ნაჩვენებია, რომ მიტოგენურ აქტივობაში შესაძლებელია ჩართული იყოს ნახშირწყლების ლექტინდამკავშირებელი სპეციფიკური საიტები. კვლევის შედეგები შესაძლებელია გამოყენებული იქნას როგორც იმუნოლოგიური, ბიოქიმიური და მოლეკულური ბიოლოგიის დარგებში.

3. in vitro ტექნოლოგია განიხილება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მეთოდოლოგია ex situ კონსერვაციისათვის. მცენარეთა in vitro რეპროდუქციას აქვს დიდი პოტენციალი იშვიათი და გადაშენების პირას მისული სახეობის შენარჩუნების თვალსაზრისით. ეფექტური კლონური მასობრივი გამრავლების მეთოდების შემუშავება ზიგოტური ემბრიოგენეზის მეშვეობით ტყის ჯიშის მცენარეებში ხელს შეუწყობს მცენარეული გამრავლებას in vitro.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Mariam Gaidamashvili.	'In Vitro Propagation for Conservation of Rare and Threatened Plants of Georgia'	**2015** Nov 5-7, Network conference. Human and Environmental Resources in Multiethnic Societies. Tbilisi, Georgia.
	Mariam Gaidamashvili, Eka Khurtsidze	"Plant conservation using in vitro technologies".	**2015** Feb. 2-7, Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Third Scientific Conference in Exact and Natural Sciences ENS-2015 (Tbilisi, Georgia).
	Mariam Gaidamashvili, Eka Khurtsidze	'Application of tissue culture for conservation of plant biodiversity'	**2015** Sep. 4-6, STEM Workshop on Nanotechnology and Environmental Sciences, Tbilisi, Georgia.

1. in vitro ტექნოლოგია განიხილება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მეთოდოლოგია ex situ კონსერვაციისათვის. მცენარეთა in vitro რეპროდუქციას აქვს დიდი პოტენციალი იშვიათი და გადაშენების პირას მისული სახეობის შენარჩუნების თვალსაზრისით. ეფექტური კლონური მასობრივი გამრავლების მეთოდების შემუშავება ზიგოტური ემბრიოგენეზის მეშვეობით ტყის ჯიშის მცენარეებში ხელს შეუწყობს მცენარეული

გამრავლებას ინ ვიტრო.

2. მცენარეული ქსოვილთა კულტურების ტექნოლოგია, ანუ მცენარეთა *in vitro* გამრავლება, წარმოადგენს ეფექტურ საშუალებას მცენარეთა ტრადიციულ გამრავლებასთან დაკავშირებული პრობლემების თავიდან ასაცილებლად. მეთოდოლოგია პერსპექტიულია *in vitro* პირობებში გენეტიკურად სუფთა ელიტური პოპულაციების მისაღებად, რომლებიც თავისუფალია სისტემური ბაქტერიული, სოკოვანი და ვირუსული დაავადებებისაგან და იძლევა ხარისხიანი ეგზემპლარების წარმოქმნის გარანტიას. ამასთან ერთად, უზრუნველყოფს ახალგაზრდა აღმონაცენების ფართომასშტაბიან წარმოებას დროის შედარებით მცირე მონაკვეთში და მცირე ფართობზე. თუმცა, საქართველოში ჯერჯერობით პრაქტიკაში არ არის დანერგილი სახეობათა *ex situ* კონსერვაციის თანამედროვე ბიოტექნოლოგიური მიდგომები *in vitro* კონსერვაციის სახით, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვნად დააჩქაროს სახეობათა კონსერვაციისა და რეაბილიტაციის პროცესები და ამრიგად, უზრუნველყოს ფიტოგენეტიკური მრავალფეროვნების მდგრადობა.

3. საიმედო ინ ვიტრო მეთოდოლოგიის განვითარებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება იშვიათი და გადაშენების მცენარეთა სახეობების კონსერვაციაში რაც ამავდროულად ამცირებს ზეწოლას ბუნებრივ პოპულაციებზე და უზრუნველყოფს ბიომასის. დაჩქარებულ ზრდას. წინამდებარე კვლევა აჯამებს ინ ვიტრო გამრავლების ტექნიკას ხემცენარეებისათვის. ფართომასშტაბიანი გამრავლების მიზანშეწონილობა განიხილება გენეტიკური რესურსების და ტყის ეკოსისტემების ეფექტური კონსერვაციის მიზნით.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მარიამ გაიდამაშვილი	Micropropagation of Threatened Betula Species for *in vitro* conservation.	International Conference on Plant, Marine and Environmental Sciences (PMES-2015). Jan. 1-2, 2015 Kuala Lumpur (Malaysia).
2.	, ეკა ხურციძე	Mitogenic Activity of Mulberry Lectin (Morus alba L.) on Human Peripheral Blood Lymphocytes.	International Conference on Plant, Marine and Environmental Sciences (PMES-2015). Jan. 1-2, 2015 Kuala Lumpur (Malaysia).

3.	მარიამ გაიდამაშვილი, ეკა ხურციძე	Development and Use of Embryo Culture for Micropropagation of Threatened Woody Species.	Tree Biotechnology Conference “Forests: the importance to the planet and society”. IUFRO 2015 Florence (Italy).
4.	Gachechiladze N, Khurzidze E, Gaidamashvili M,	"Determination of the cytotoxicity of chitin binding mistletoe (Viscul album L) fruit lectin (MChbL) on human peripheral blood lymphocytes"	European Allergy and Clinical Immunology Congress (EAACI) Barcelona, Spain. **2015** Jun 6-10,

1. საიმედო ინ ვიტრო მეთოდოლოგიის განვითარებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება იშვიათი და გადაშენების მცენარეთა სახეობების კონსერვაციაში რაც ამავდროულად ამცირებს ზეწოლას ბუნებრივ პოპულაციებზე და უზრუნველყოფს ბიომასის. დაჩქარებულ ზრდას. წინამდებარე კვლევა აჯამებს ინ ვიტრო გამრავლების ტექნიკას Betula გვარისათვის. ფართომასშტაბიანი გამრავლების მიზანშეწონილობა განიხილება გენეტიკური რესურსების და ტყის ეკოსისტემების ეფექტური კონსერვაციის მიზნით.

2. ქართული თუთის გალაქტოზა-სპეციფიკური ლექტინის მიტოგენური აქტივობა განსაზღვრული იქნა ჯანსაღი და ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემიის დაავადებული ადამიანის პერიფერიული სისხლის ლიმფოციტების მიმართ. ნაჩვენებია, რომ მიტოგენურ აქტივობაში შესაძლებელია ჩართული იყოს ნახშირწყლების ლექტინდამკავშირებელი სპეციფიკური საიტები. კვლევის შედეგები შესაძლებელია გამოყენებული იქნას როგორც იმუნოლოგიური, ბიოქიმიური და მოლეკულური ბიოლოგიის დარგებში.

3. ინ ვიტრო ტექნოლოგია განიხილება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მეთოდოლოგია ექს სიტუ კონსერვაციისათვის. მცენარეთა ინ ვიტრო რეპროდუქციას აქვს დიდი პოტენციალი იშვიათი და გადაშენების პირას მისული სახეობის შენარჩუნების თვალსაზრისით. ეფექტური კლონური მასობრივი გამრავლების მეთოდების შემუშავება ზიგოტური ემბრიოგენეზის მეშვეობით ტყის ჯიშის მცენარეებში ხელს შეუწყობს მცენარეული გამრავლებას ინ ვიტრო.

4. შესწავლილი იქნა VAC ლექტინების ციტო-ტოქსიკურობა ინ ვიტრო ადამიანის პერიფერიული სისხლის ლიმფოციტების მოკლევადიან სუსპენზიურ კულტურებზე. ექსპერიმენტის მიზანს წარმოადგენდა VAC ცილების ტოქსიკური ეფექტების გამოვლენა. გამოვლენილ იქნა, რომ VAC ლექტინების გამოყენებული ორი დოზიდან (10 მკგ/მლ, 500 მკგ/მლ) პრეპარატის მაღალი დოზა იწვევდა პსლ-ს პროლიფერაციის საგრძნობლად დათრგუნვას და

ხასიათდებოდა პსლ-ის მიმართ გამოხატული აშკარა ციტოტოქსიკური მოქმედებით.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1				
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

IV. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1				
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის კათედრა

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი.

კათედრის გამგე, ბიოლ. მეცნ. დოქტორი,
სრული პროფესორი – ნანული კოტრიკაძე

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:
კათედრის ასოცირებული პროფესორი – ბიოლ. დოქტორი,
მანანა გორდეზიანი

კათედრის ლაბორანტი, დოქტორანტი - ლიანა რამიშვილი
მოწვეული პროფესორები – ბ.დ. მანანა ალიბეგაშვილი
ბ.დ. ირმა ბოჭორიშვილი
ბ.დ. ნატო ვეშაპიძე
ბ.დ. მაია ზიბზიბაძე

VI. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის
დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
(უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის კათედრა.)

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	მიზნობრივი სამეცნიერო პროექტი : **„საქართველოში გავრცელებული კაკლის სამკურნალო თვისებების შედარებითი შესწავლა ლეიკოპენიის ექსპერიმენტულ მოდელზე“**	***პროფესორები:*** დიანა ძიძიგური **ნანული კოტრიკაძე** ნანა კოშორიძე ნანული დორეული თეიმურაზ ლეჟავა არნოლდ გეგეჭკორი ***ასოც. პროფ.*** ნუნუ მიცკევიჩი	**ასოც. პროფესორი მანანა გორდეზიანი ლაბ: ლიანა რამიშვილი**
მიმდინარე კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			
1. **ციკლოფოსფანის, როგორც იმუნოდეპრესანტის ეფექტი ერითროციტების მემბრანის სორბციულ უნარიანობაზე კონტროლთან შედარებით გამოხატულ სახეს იღებს მოქმედებიდან მე-8 დღეს.** 2. ციკლოფოსფანი, როგორც იმუნოდეპრესანტი მიღებიდან მეოთხე დღეს კონტროლთან			

შედარებით ერითროციტების სორბციის უნარიანობაზე თითქმის არ მოქმედებს შესაბამისად, **ენდოგენური ინტოქსიკაცია გამოხატულ სახეს არ იღებს.**
3. ციკლოფოსფანის, როგორც იმუნოდეპრესანტის მიღებიდან მერვე დღეს კონტროლთან შედარებით ერითროციტების სორბციის უნარი გაზრდილია (~8%-ით), შესაბამისად **გამოჩნდა ენდოგენური ინტოქსიკაციის ნიშნები.**

4. ციკლოფოსფანი+ბერძნული კაკლის უღელის ერთდროული მოქმედებისას ერითროციტების მემბრანის სორბციის უნარიანობა მე-8 დღეს კონტროლთან შედარებით **მკვეთრად გაზრდილია (~32 %-ით).** რაც შეეხება ციკლოფოსფანი+ბერძნული კაკლის მოქმედება დამოუკიდებლად ციკლოფოსფანის (მე-8 დღე) მოქმედებასთან შედარებით **გაზრდილია - ~24 %-ით.**
5. **ციკლოფოსფანი+ბერძნული კაკლის უღელის ერთდროული მოქმედებისას** უკვე მე-8 დღეს ადგილი უნდა ქონდეს **ერითროციტების მემბრანის გაჯერებას ტოქსიური ნაერთებით და ანტისხეულებით, რაც ერითროციტების დამცველობითი ფუნქციის გაძლიერებაზე მიუთითებს და საკვლევი ობიექტის სისხლის დეტოქსიკაციისაკენ უნდა იყოს მიმართული.**
6. ციკლოფოსფანი+ბერძნული კაკლის უღელის (მე-8 დღე) ერთდროული მოქმედებისას, როგორც ჩანს ადგილი აქვს ერითროპოეზის გაძლიერებას, ერითროციტების ჰემოგლობინით გაჯერებას, ერითროციტების რაოდენობისა და ფუნქციური აქტივობის ზრდას.

7. **ციკლოფოსფანი+პეკანის უღელის** ერთდროული მოქმედებისას ერითროციტების მემბრანის სორბციის უნარიანობა მე-8 დღეს კონტროლთან შედარებით **გაზრდილია** (~5 %-ით). რაც შეეხება ციკლოფოსფანი+პეკანის მოქმედება დამოუკიდებლად ციკლოფოსფანის (მე-8 დღე) მოქმედებასთან შედარებით **შემცირებულია** - ~3 %-ით.
8. **ციკლოფოსფანი+პეკანის უღელის** ერთდროული მოქმედებისას უკვე მე-8 დღეს ერითროციტების დამცველობითი ფუნქცია **ნაკლებ გამოხატულია.**

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1				

დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

V. 4.

2	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
ანოტაციები ქართულ ენაზე					

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Manana Alibegashvili, Nato Veshapidze, Liana Ramishvili, Manana Gordeziani, Teimuraz Chigogidze, Nino Gabunia, Ana Khazaradze, Nanuli Kotrikadze	Change of Erythrocytes transport Function in Blood of Men with Prostate Adenocarcinoma (Before and After Plastic Orchiectomy) // **Journal of Cancer Therapy**	2015, vol. 6 (IF – 0,56).	ამერიკის შეერთებული შტატები	1249-1253

ანოტაციები ქართულ ენაზე

შესწავლილ იქნა **CaP**-ით დაავადებულ მამაკაცთა სისხლის ერითროციტების სატრანსპორტო ფუნქციის ცვლილება **Na^+\K^+-ATP**-აზას აქტივობის ცვლილებისა და **Na^+**-ისა და **K^+**-ის იონების განვლადობის მაგალითზე როგორც პლასტიკურ ორქექტომიამდე, ასევე პლასტიკური ორქექტომიის შემდეგ.

გამოკვლევებმა გამოავლინა პლასტიკური ორქექტომიის შემდეგ **CaP**-ით დაავადებულ მამაკაცთა სისხლის ერითროციტებში, ფერმენტ **Na^+\K^+-ATP**-აზას აქტივობის ზრდა პლასტიკურ ორქექტომიამდე მიღებულ მონაცემებთან შედარებით, თუმცა მიღებული მონაცემები საკონტროლო ჯგუფის ამავე მაჩვენებლებთან შედარებით კვლავ შემცირებული რჩებოდა.

ამასთან უჯრედგარე არეში აღინიშნებოდა, როგორც **Na^+**-ის ასევე **K^+**-ის იონების კონცენტრაციის მატება, თუმცა საკონტროლო ჯგუფის ამავე მაჩვენებლებთან შედარებით მაინც, იონთა კონცენტრაცია შემცირებული რჩებოდა. პლასტიკური ორქექტომიის შემდეგ ერითროციტების მემბრანაში ადგილი ჰქონდა ქოლესტეროლის რაოდენობის ასევე შემცირებას ოპერაციამდელ მონაცემთან შედარებით, თუმცა აღნიშნული მაჩვენებელი საკონტროლო ჯგუფის ამავე მაჩვენებელს მაინც აღემატებოდა.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნანა კოტრიკაძე	პროსტატის სიმსივნეები და მათი თერაპიული მკურნალობის შესაძლო პერსპექტივები".	**მედიკოსთა ტრადიციული 37-ე საერთაშორისო სკოლა-კონფერენცია "ბაკურიანი 2015"**, თანამედროვე კლინიკური მედიცინა - მიღწევები და უახლესი ტექნოლოგიები. 21 თებერვალი - 1 მარტი.
2	მანანა გორდეზიანი	" ეკოლოგიური გარემო და ჯანმრთელობა"	**მედიკოსთა ტრადიციული 37-ე საერთაშორისო სკოლა-კონფერენცია "ბაკურიანი 2015"**,თანამედროვე კლინიკური მედიცინა - მიღწევები და უახლესი ტექნოლოგიები. 21 თებერვალი - 1 მარტი.
3	ლიანა რამიშვილი	მემბრანოდესტრუქციული პროცესების შესწავლა პროსტატის	**მედიკოსთა ტრადიციული 37-ე საერთაშორისო სკოლა-**

		სიმსივნეებით დაავადებული მამაკაცების ერითროციტებში”	**კონფერენცია “ბაკურიანი 2015”**,თანამედროვე კლინიკური მედიცინა - მიღწევები და უახლესი ტექნოლოგიები. 21 თებერვალი - 1 მარტი.
4	**Nana Kotrikadze**	“Medical-biological Aspects of Prostate Tumors”	Actual Issues of Biomedicine” **The 5th Batumi International Workshop**, September, 16-19. 2015.
5	**Manana Alibegashvili**	“Changes in membrane organisation of blood erythrocytes in case of prostate tumors”.	Actual Issues of Biomedicine” **The 5th Batumi International Workshop**, September, 16-19. 2015.
6	**Liana Ramishvili**	Mitochondrial Defects and their role in prostate tumor transformation”.	Actual Issues of Biomedicine” **The 5th Batumi International Workshop**, September, 16-19. 2015.

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1.
მოხსენების მიზანს წარმოადგენდა პროსტატის სიმსივნეების ფუნდამენტურ კვლევებზე დაყრდნობით წარმოდგენილიყო პროსტატის სიმსივნეების თერაპიული მკურნალობის შესაძლო პერსპექტივები. შესწავლილ იქნა პროსტატის სიმსინვეებით დაავაბეული მამაკაცების სისხლი, ერითროციტები და სიმსივნური ქსოვილი.

01100101 10001100 10001001 01100011 01110011 10001100 10000100 01110101 10001011 10011110 00101100 10010111 10000010 10011101 10100110 10001111.

თუ შევადარებთ ერთმანეთს საწყის და მიღებულ ბიტური სტრიქონებს დავინახავთ, რომ 128 ბიტიდან განასხვავება გვხვდება 67 ბიტში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ასეთი ალგორითმის გამოყენება ეფექტურია იმისათვის, რომ ძალიან სწრაფად იქნას მიღწეული საჭირო დონის დიფუზია.

ცხადია, რომ მატრიცის მატრიცაზე გამრავლების დროს, გამოსასვლელი მატრიცის თითეული ელემენტის გამოთვლაში არ მონაწილეობს შესასვლელი მატრიცის ყველა ელემენტი. ამის მიღწევა შესაძლებელი გახდება, თუ ჩვენ M მატრიცის სტრიქონებს გადავსვავთ შემდეგ კვლავ გავამრავლებთ A მატრიცაზე მოდულით 256. თუ ყოველი გამრვლების წინ ღია ტექსტის შესაბამის ბიტურ სტრიქონს ოპერაცია **xor**-ით შევკრებავთ **tweak** შესასვლელთან. გასაღებთან, შედეგი უფრო სწრაფად მიიღწევა, რადგანაც ღია ტექსტის გასაღებთან შეკრების დროს ხდება ე.წ. ტექსტის „გათეთრება“, ანუ ღია ტექსტის სტრუქტურის გარდაქმნა.

იმის დასადგენად, თუ რა დონის ფსევდოშემთხვევითი მიმდევრობა მიიღება ასეთი გარდაქმნების შედეგად, ჩატრადა გამომავალი ბიტური სტრიქონების ტესტირება.

დიფუზიის ტესტი: შემთხვევითად შევარჩიოთ გასაღები k და ბიტური სტრიქონი L_1, რომელთა სიგრძეები არის 128 ბიტი. L_2 სტრიქონი მივიღოთ L_1-სგან რომელიმე ბიტის შებრუნებით, ანუ L_1-სა და L_2-ს შორის განსხვავება მხოლოდ ერთი ბიტია, დავშიფროთ ეს სტრიქონები ერთიდაიგივე k გასაღებით და შევადაროთ მიღებული ბიტურ სტიქონები შემდეგი პარამეტრებიტ:

- კორელაცია ბიტურ სტრიქონებს შორის
- კორელაცია ბაიტებს შორის
- განსხვავებული ბიტების ფარდობითი სიხშირეები

ქვემოთ მოყვანილია 10000-ჯერ ჩატარებული ზემოთ აღწერილი ტესტის გასაშუალებული შედეგები

ტესტის შედეგები ფიქსირებული გასაღებისთვის - ჰილის მოდიფიცირებული ალგორითმი

	ბიტური კორელაცია	ბაიტური კორელაცია	ბიტური სხვაობა
L_1 და L_2-ს შორის	0.979590	0.998815	0.007812

L_1 და L_2 -ს შორის	-0.000788	0.001105	0.500421

ტესტის შედეგები ფიქსირებული გასაღებისთვის - AES

	ბიტური კორელაცია	ბაიტური კორელაცია	ბიტური სხვაობა
L_1 და L_2 -ს შორის	0.984373	0.999994	0.007812
L_1 და L_2 -ს შორის	0.000120	0.002005	0.500002

როგორც ვხედავთ, რომ ორივე ალგორითმში, მიუხედავად იმისა, რომ გასაღებები ერთი და იგივეა, ხოლო შემავალი მონაცემები L_1 და L_2 ძალიან გვანან ერთმანეთს, გამომავალი მონაცემები საგრძნობლად განსხვავდება, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ალგორითმს აქვს კარგი დიფუზიის უნარი.

მიმოფანტვის ტესტი: შემთხვევითად შევარჩიოთ ბიტური სტრიქონი L და გასაღები k_1 რომელთა სიგრძეები არის 128 ბიტი. მივიღოთ k_1 -სგან k_2 რომელიმე ბიტის შებრუნებით და დავშიფროთ L ორივე გასაღებით.სევადაროთ დაშიფრული სტრიქონები შემდეგი პარამეტრებით:

- კორელაცია ბიტურ სტრიქონებს შორის
- კორელაცია ბაიტებს შორის
- განსხვავებული ბიტების ფარდობითი სიხშირე

ქვემოთ მოყვანილია 10000-ჯერ ჩატარებული ზემოთ აღწერილი ტესტის გასაშუალებული შედეგები

ტესტის შედეგები ფიქსირებული შემავალი მონაცემებისთვის - ჰილის მოდიფიცირებული ალგორითმი


	ბიტური კორელაცია	ბაიტური კორელაცია	ბიტური სხვაობა
L_1 და L_2 -ს შორის	0.984371	0.999994	0.007812
L_1 და L_2 -ს შორის	0.006407	0.013343	0.496821

ტესტის შედეგები ფიქსირებული შემავალი მონაცემებისთვის - AES

	ბიტური კორელაცია	ბაიტური კორელაცია	ბიტური სხვაობა
L_1 და L_2 -ს შორის	0.984373	0.999994	0.007812
L_1 და L_2 -ს შორის	0.000510	0.003830	0.499820

კვლავაც, მიუხედავად იმისა, რომ შემავალი მონაცემები ერთი და იგივეა, ხოლო გასაღებები ძალიან გვანან ერთმანეთს, გამომავალი მონაცემები საგრძნობლად განსხვავდება, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ალგორითმს აქვს კარგი მიმოფანტვის უნარი.

ქვევით სურათზე მოყვანილია ვიდეოგამოსახულება. პირველ სურათზე გვაქვს ორიგინალი გამოსახულება. მეორე სურთი მიღებულია ორიგინალის მხოლოდ ერთხელ გამრავლების შედეგად გარდამქმნელ მატრიცაზე. მესამე სურათზე კი გვაქვს ორიგინალი დაშიფრული AES ალგორითმით.



პარალელურად გრძელდებოდა სხვადასხვა ვარიანტების განხილვაც. კერძოდ შესაძლებელია დაშიფვრის დაჩქარებია მიზნით 128 ბიტიანი ბლოკი გაიყოს ორ სამოცდაოთხბიტიან ბლოკად და თითოეული მიღებული მატრიცა გამრავლდეს ორ ორ თვითშებრუნებად მატრიცაზე 64-ის მოდულით. ამასთან ეს გამრავლებები შეიძლება შესრულდეს პარალელურად, ხოლო მატრიცის ზომების შემცირება გარდა იმისა რომ გამოიწვევს დაშიფვრის სიჩქარის გაზრდას ასევე ხელს შეუწყობს უფრო სწრაფად მოხდეს დიფუზია, რაც გაუმჯობესებს ალგორითმის კრიპტომედეგობას.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
4	**Big Data(დიდი მონაცემების)დამუშავება Deep Learning ღრმა სწავლებით და ცოდნის ბაზების ფორმირება**	**გელა ბესიაშვილი**	**გელა ბესიაშვილი, კათედრის მაგისტრანტები და ბაკალავრიატის სტუდენტები**

დიდი მონაცემების დამუშავება (ანალიზი,პროგნოზირება)მანქანური სწავლების ალგორითმების გამოყენებით ერთერთი ძირითადი ამოცანაა.
ღრმა სწავლება(ჯ.ჰინტონი,ე.ნჯ და სხვ) ადაპტიურ სწავლებასთან ერთად ამ ამოცანების გადაწყვეტისათვის საკმაოდ ეფექტური ინსტრუმენტებია.
დღეისათვის ინფორმაციული სისტემის ეფექტური ფუნქციონირება ბევრადაა დამოკიდებული ცოდნის ბაზის შემუშავებაზე.

თსუ სტუდენტთა 75-ე საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციაზე 4 მოხსენება.

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	**ტვირთების გადაზიდვის ოპტიმალური მარშრუტების აგების ინტელექტუალური ხელშემწყობი სისტემა(MTCU/23/4-102/13), (#5891)**- *ინფორმაციული და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები*	**შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და და მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრის უკრაინაში მიერ „მიზნობრივი კვლევისა და განვითარების პროგრამის“ ფარგლებში მიღებული გრანტი**	**პროფ. გია სირბილაძე**	**პროფ. გია სირბილაძე, ასოც. პროფ. ბეჟან ღვაბერიძე, ასისტ. პროფ. ბიძინა მაცაბერიძე, დოქტორანტი გვანცა წულაია, პროგრამისტი გურამ მგელაძე, ასისტ. პროფ. ზურაბ მოდებაძე, ასოც. პროფ. რევაზ გრიგოლია**

პროექტის მთავარი მიზანი იყო შეგვექმნა საექსპერტო ცოდნაზე დაფუძნებული ინტელექტუალური ხელშემწყობი სისტემა - პროგრამული პროდუქტი, რომელიც ზემოთ მოცემული პრობლემატიკის ამოცანების ოპტიმალური გადაწყვეტისას სადისტრიბუციო ქსელების მომხმარებელთათვის მრჩეველ-დამხმარე ინსტრუმენტი იქნებოდა, როდესაც სატრანსპორტო საშუალებებს გზებზე სხვადასხვა ექსტრემალური მოვლენების გამო გადაადგილება გართულებული აქვთ.

პირველ ეტაპზე შეიქმნა ინტელექტუალური ხელშემწყობი სისტემის არქიტექტურა და დაიგეგმა მისი გადაწყვეტის მენეჯმენტისა და დიზაინის ამოცანები. *მეორე ეტაპზე დაიწყო* დაგეგმილი ამოცანების ანალიზისა და სინთეზის პროცესის ეტაპები:

შემავალი ობიექტური მონაცემების ფორმირებისთვის შეიქმნა მოდული (ბლოკი I), რომელიც იმუშავებს Google Directions API სერვისის გარემოში, სადაც მომხმარებელს ექნება საშუალება შეიყვანოს მისი სადისტრიბუციო ქსელის კვანძები კოორდინატების სახით. მოდულით დაგენერირდება სადისტრიბუციო გრაფი, საიდანაც მიიღება სხვა მოდულებისთვის (ბლოკებისთვის) აუცილებელი ინფორმაცია. ჩატარდა ბლოკის ტესტირება. ბლოკი II განკუთვნილია სუბიექტური მონაცემების დასამუშავებლად. ჩატარდა მეორე ბლოკის დეველოპმენტი და ჩატარდა მისი ტესტირება. ბლოკი III განკუთვნილია ზემოთ წარმოდგენილი „იმედის მომცემი“ მარშრუტების რეალიზაციისთვის. შეიქმნა პროგრამული რეალიზაცია და მოდული დატესტილი იქნა განსხვავებული ტიპის დისტრიბუციული ქსელებისთვის. ბლოკი IV განკუთვნილია სუბიექტური და ობიექტური კრიტერიუმების ასაგებად. მოხდა მისი დეველოპმენტი და დაიტესტა არსებულ მაგალითებზე. ბლოკი V განკუთვნილია მარშრუტიზაციის ორკრიტერიუმიანი ამოცანის დაყოფის ამოცანაზე მისაყვანად. ბლოკი VI განკუთვნილია ოპტიმალური მარშრუტების გენერაციისთვის; ასევე მომხმარებლისთვის ანგარიშების გენერატორის სახით მხარდამჭერი საშუალებების წარმოსადგენად.

განხორციელდა პროექტის მთავარი მიზანი - შევქმნათ ექსპერტულ ცოდნაზე დაფუძნებული

ინტელექტუალური ხელშემწყობი სისტემა - პროგრამული პროდუქტი სახელწოდებით *ტვირთების გადაზიდვის ოპტიმალური მარშრუტების აგების ინტელექტუალური ხელშემწყობი სისტემა - ORPTG (Intelligent Support System - Optimal Route Planning for Transportation of Goods).* იგი სადისტრიბუციო ქსელების მომხმარებელთათვის მრჩეველ-დამხმარე ინსტრუმენტი იქნება ისეთ პირობებში, როდესაც სატრანსპორტო საშუალებების გზებზე გადაადგილება გართულებულია სხვადასხვა ექსტრემალური მოვლენების გამო. მოკლედ მიმოვიხილოთ სისტემის არქიტექტურა და მუშაობის პრინციპი.

შემავალი მონაცემები. პრაქტიკულ ამოცანებში, მომხმარებლებისთვის სადისტრიბუციო ქსელის წარმოდგენის ყველაზე ბუნებრივი გზა არის შესაბამისი რეგიონის გეოგრაფიულ რუკაზე ინფორმაციის დატანა. სწორედ ამიტომ, ჩვენი სისტემისთვის შემავალი მონაცემების გენერაცია ხდება Google Maps-ზე დაფუძნებით, სადაც მომხმარებელს საშუალება აქვს, რუკაზე დაიტანოს სადისტრიბუციო ქსელის წერტილები (საწყობი, მოთხოვნის პუნქტები). Google Directions API-ის გამოყენებით, ავტომატურად ხდება ე.წ. მანძილების მატრიცის აგება, რომელშიც მოცემულია ნებისმიერ ორ პუნქტს შორის მანძილი, რეალური გზების და მოძრაობის წესების გათვალისწინებით.

გარდა გეოგრაფიული კოორდინატებისა, რომლიდანაც ავტომატურად დაითვლება პუნქტებს შორის მანძილები, საჭიროა, მომხმარებელმა ორი სიდიდით დაახასიათოს ნებისმიერ ორ პუნქტს შორის არსებული გზა (რკალი). ეს სიდიდეებია: გზის გავლის მიახლოებითი დრო (მოიცემა არამკაფიო სამკუთხა რიცხვებით, წარმოადგენს უზუსტობის ზომას) და გზის გავლის შესაძლებლობა (მოიცემა შესაძლებლობითი განაწილებით, წარმოადგენს განუზღვრელობის ზომას). მაშასადამე, სისტემის შემავალი მონაცემების მოდული მომდევნო დამუშავებისთვის ამზადებს მატრიცას, რომლის სტრიქონები და სვეტები პუნქტებს შეესაბამება, ხოლო ამ მატრიცის თითოეული ელემენტი წარმოადგენს ორ პუნქტს შორის არსებული გზის სამ მახასიათებელს: მანძილი, მიახლოებითი დრო და გადაადგილების შესაძლებლობა. გზის სიგრძე, ანუ მანძილი ობიექტური ინფორმაციაა, რომელიც რუკიდან მიიღება, გზის გავლის მიახლოებითი დრო და შესაძლებლობა კი სუბიექტური მონაცემებია, რომლებიც ექსპერტულ ცოდნას და გამოცდილებას ეფუძნება.

მონაცემების დამუშავება. სისტემის ძირითადი მოდულის მიზანია, დაამუშავოს შემავალი მონაცემები და ამოცანა დაიყვანოს დაყოფის ორ კრიტერიუმიან ამოცანაზე. აღნიშნული მოდული, პირველ რიგში, იმედის მომცემი მარშრუტების ალგორითმის გამოყენებით აგებს გარკვეული რაოდენობის დასაშვებ მარშრუტებს (მარშრუტების კომბინაციები შეიძლება წარმოადგენდნენ ამონახსნებს). თითოეული დასაშვები მარშრუტი ხასიათდება ორი ძირითადი მაჩვენებლით: მარშრუტის ფასი (ჯამური მანძილი, ხარჯი, ა.შ.) და მარშრუტის განხორციელების შესაძლებლობა. მარშრუტის ფასი გამოითვლება ობიექტურ, ხოლო მარშრუტის განხორციელების შესაძლებლობა კი სუბიექტურ მონაცემებზე დაყრდნობით.

ძირითადი მოდულის მუშაობის მეორე საფეხურზე ხდება დაყოფის ორ კრიტერიუმიანი ამოცანის ამოხსნა, სადაც დასაყოფი სიმრავლე წარმოადგენს პუნქტების სიმრავლეს, დამყოფი სიმრავლეები წინა საფეხურზე გენერირებული მარშრუტებით დაფარული პუნქტების სიმრავლეებია. ამონახსნი წარმოადგენს გენერირებული მარშრუტების ქვესიმრავლეს, რომლის ძიება ხდება ორი კრიტერიუმის გათვალისწინებით: პირველი კრიტერიუმი წარმოადგენს ამონახსნის ჯამური ფასის მინიმიზაციას, ხოლო მეორე - ამონახსნის განხორციელებადობის მაქსიმიზაციას.

გამომავალი მონაცემები. დაყოფის ორ კრიტერიუმიანი ამოცანის ამოხსნის შედეგად ხდება ამონახსნის მიღება (ცხადია, თუ ის არსებობს), რომელიც ოპტიმალურია ორი, ზოგადად ურთიერთსაწინააღმდეგო კრიტერიუმის თვალსაზრისით. ამონახსნი შეგვიძლია წარმოვადგინოთ გრაფიკულად, როგორც მარშრუტი რუკაზე, ასევე ტექსტური სახით და შეგვიძლია მივუთითოთ შესაბამისი ფასი და განხორციელების შესაძლებლობა.

	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2	**სატრანსპორტო მარშრუტების დაგეგმვის ახალი მოდელები ექსტრემალურ და განუზღვრელ გარემოში (№AR/26/5-111/14)** *-ინფორმაციული და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები*	**შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი - გამოყენებითი კვლევების მიმართულება**	**ასოც. პროფ. ბეჟან ღვაბერიძე**	**პროფ. გია სირბილაძე, ასოც. პროფ. ბეჟან ღვაბერიძე, ასისტ. პროფ. ბიძინა მაცაბერიძე, დოქტორანტები გვანცა წულაია და არჩილ ვარშანიძე, სისტემური ანალიტიკოსი ანა სიხარულიძე**

წარმოდგენილი ტექნიკური ანგარიში ასახავს პროექტის პირველ ამოცანაზე მუშაობისას მიღებულ შედეგებს (მათ შორისაა ტესტირების შედეგები). ეს ამოცანა ეხება სატრანსპორტო მარშრუტების აგების ამოცანებში ***ობიექტური მონაცემების ფორმირების*** *საკითხს, რომელიც გულისხმობს:*

*ა) რუქაზე მომხმარებლების წერტილებისა და სადისტრიბუციო კომპანიის საწყობის მონიშვნას ინფორმაციული სისტემა „***Google Map***“-ის გამოყენებით; ბ) მომხმარებლების მიმართულების ქსელის აგებას ინფორმაციული სისტემა „***Google Directions API***“-ის გამოყენებით; გ) მომხმარებლების სადისტრიბუციო ქსელში მანძილების მატრიცის აგებას ;*

*შენიშვნა: შემდეგ ამოცანებში გენერირებული იქნება მანძილების მატრიცაზე დაფუძნებული ე.წ. „იმედის მომცემი“ მარშრუტები და სუბიექტური ექსპერტული მონაცემები. უკვე გენერირებული „იმედის მომცემი“ მარშრუტებისთვის აგებული იქნება ფაზი-სატრანსპორტო მარშრუტიზაციის ამოცანა (*Fuzzy Vehicle Routing Problem. FVRP*) ტრანსფორმირებული ბიკრიტერიარული ფაზი-დაყოფის პრობლემატიკაში, რომლის რიცხვითი გადაწყვეტა მოგვცემს ჩვენი პროექტის რეალიზაციის ოპტიმალურ მნიშვნელობებს.*

<u>ტექნიკური მიდგომა:</u> შემავალი მონაცემების გენერირებისათვის აგებული იქნა ვებ-აპლიკაცია. იგი შეიცავს Google-ის ჩადგმულ რუქას, რომელზეც შესაძლებელია მომხმარებლის სპეციფიური მდებარეობის მონიშვნა, წერტილების დასმა. ყველა წერტილის მონიშვნის შემდეგ (საწყობის ჩათვლით) პროექტის პროდუქტის მომხმარებელს შეუძლია მატრიცის გენერირებისათვის გამოიყენოს ღილაკი წარწერით “Generate Matrix“. აღნიშნული მატრიცა შეიცავს მონიშნულ წერტილებს შორის მანძილებს. ფინალური ბიჯი უზრუნველყოფს უმოკლესი მანძილების მატრიცის გამოთვლას, რომელიც რეალიზებულია მარშრუტების მატრიცისთვის ფლოიდ-უორშელის ალგორითმის გამოყენებით (The Floyd-Warshall algorithm).

<u>განვიხილავთ ფორმირების ძირითად მოდულებს ექსტრემალური და განუმტკიცებელი გარემოსთვის:</u>

1.1 სისტემის მომხმარებლებისა და ექსპერტების მონაცემთა ბაზის მოდულის ფორმირება (გადაწყვეტილია)

1.2 ძირითადი ამოცანისთვის შემავალი მონაცემების სტრუქტურის ფორმირება (გეოგრაფიული წერტილები, მომხმარებლები, მათ შორის მანძილები, გადაადგილების დროები და სხვა) (გადაწყვეტილია)

ჩვენ შევქმენით ვებ-აპლიკაცია შემავალი მონაცემების ფორმირებისათვის. *აღნიშნული ვებ-აპლიკაცია შეიცავს Google Maps-იდან ჩადგმულ რუქას და შესაძლებელია მასზე სპეციფიური*

ადგილმდებარეობის (წერტილების) მონიშვნა. ადგილმდებარეობები შეიძლება მონიშნული იყოს ზუსტი განედისა და გრძედის კოორდინატების ან ობიექტის მისამართი/სახელის მითითებით; ადგილმდებარეობის მითითების შემდგომ, ასევე შესაძლებელია მას დავარქვათ რაიმე „მეგობრული“ სახელიც.

შემავალი პარამეტრების ფორმირებისათვის პირველი ბიჯი წარმოადგენს რუკაზე წერტილების დასმას.

რუქაზე ყველა საჭირო წერტილის დასმის შემდეგ (მათ შორის საწყობი/ბაზა), მომხმარებელს შეუძლია გამოიყენოს ღილაკი “Generate Matrix” იმ მატრიცის მისაღებად, რომელიც შეიცავს ინფორმაციას წერტილებს შორის მანძილების (მარშრუტების) შესახებ. მატრიცას გააჩნია N x N განზომილება, სადაც N წარმოადგენს რუქაზე მომხმარებლების (წერტილების) საერთო რაოდენობას. მატრიცის თითოეული ელემენტი შეიცავს მარშრუტს i წერტილიდან j წერტილში. ჩვენ შეგვიძლია ამ მატრიცას ვუწოდოთ “Routes Matrix”. იგი აგებულია Google Directions API-ის გამოყენებით. ეს გახლავთ მეორე ბიჯი.

შევნიშნოთ, რომ Google Directions API-ს შეუძლია დააბრუნოს რამდენიმე მარშრუტი ორ წერტილს შორის; ჩვენ ვირჩევთ უმოკლეს მარშრუტს (მინიმალური სიგრძის მქონეს). ეს მარშრუტი ასევე შეიცავს ბიჯების მასივს. თითოეული ელემენტი ამ მასივში გვიჩვენებს გამოთვლილი მიმართულებების ერთადერთ ბიჯს. ბიჯი არის ყველაზე ატომური ერთეული მიმართულებების მარშრუტიზაციაში, რომელიც შეიცავს ერთადერთ ბიჯს და რომელიც აღწერს სპეციფიკურ ერთადერთ ინსტრუქციას ამ მგზავრობასთან მიმართებაში. მაგალითად, „მობრუნება მარცხნივ უნივერსიტეტის ქუჩაზე“. ეს ბიჯი არა მხოლოდ აღწერს ინსტრუქციას, არამედ ასევე შეიცავს მანძილს და ხანგრძლივობას - თუ როგორ უკავშირდება ეს ბიჯი მომდევნო ბიჯს. მაგალითად, ბიჯი აღნიშნული შემდეგნაირად „ მობრუნება დასავლებისკენ 1-80 “ შეიძლება შეიცავდეს ხანგრძლივობას „38 მილზე“ და „40 წუთზე“. იგი გვიჩვენებს, რომ მომდევნო ბიჯი 37 მილზე/40 წუთზეა ამ ბიჯისგან (დეტალური ინფორმაცია Google Directions API შედეგების შესახებ შესაძლებელია მოიძებნოს Google-ის ვებ-გვერდზე);

ფინალური ბიჯი წარმოადგენს უმოკლესი მანძილების მატრიცის გამოთვლას. ეს საკითხი გადაწყვეტილია მარშრუტიზაციის მატრიცაში *ფლოიდ უორშელის ალგორითმის* (Floyd-Warshall algorithm) გამოყენებით. ფლოიდ უორშელის ალგორითმი წარმოადგენს გრაფის ანალიზის ალგორითმს წონით გრაფში უმოკლესი მანძილის ძებნისათვის. მთავარი უპირატესობა ფლოიდ უორშელის ალგორითმისა მდგომარეობს მის სიმარტივეში.

ჩვენ ვთვლით, რომ უმოკლესი მარშრუტების მატრიცა წარმოადგენს შემავალ ობიექტურ ინფორმაციას სატრანსპორტო მარშრუტიზაციის ამოცანაში პროექტის პროგრამული პროდუქტის - ინტელექტუალური მხარდამჭერი სისტემისათვის.

2.1 მომხმარებლებს შორის გადაადგილების შესაძლებლობის ხარისხების მისაღებად ფაზი-ლოგიკური წესების ბაზის ფორმირება

პროექტში წარმოდგენილი სატრანსპორტო მარშრუტიზაციის ამოცანისათვის, როცა ვიხილავთ გზებზე ექსტრემალურ პირობებს (გარემოებებს), ზუსტი და სტოქასტური მოდელები განსაკუთრებით ცუდად მუშაობენ, რადგან ზოგიერთი შემავალი პარამეტრი (მონაცემი) უცნობია მათი ბუნდოვანი (გაურკვეველი) ხასიათიდან გამომდინარე. ეს პარამეტრები მოიცავს სატრანსპორტო გადაადგილების დროს, რომელიც წარმოადგენს წერტილიდან წერტილში გადაადგილების ჯამურ დროს. ცხადია, რომ ასეთ პირობებში ორმხრივი სატრანსპორტო ტრაფიკი და შესაძლებლობითი განაწილება უცნობია. ასეთ პირობებში საჭირო ხდება მარშრუტის საიმედოობის შეფასების ამოცანის აგება, რომელიც გულისხმობს გარკვეული წესით მარშრუტიზაციის დროის შემცირებას. მარშრუტის ოპტიმალური გენერაცია ითხოვს, რომ ის იყოს უფრო საიმედო, როცა ტრანსპორტირების მოსალოდნელ დროსა და დაგეგმილ დროს შორის სხვაობა მინიმალურია. ამ მიზნით, დაიგეგმა მეორე, სუბიექტური კრიტერიუმების აგება პროექტის ფარგლებში - რათა მაქსიმალური გავხადოთ საიმედოობა მარშრუტების გენერაციის

პროცედურაში.

სტოქასტური მოდელებისგან განსხვავებით, პროექტის ამოცანებისთვის ჩვენ მივმართავთ ფაზი-მოდელირებას, ვიყენებთ რა ექსპერტული ცოდნის წარმოდგენისა და ფორმირების მეთოდებსა და სქემებს. როგორც პროექტშია აღწერილი, არსებობს უამრავი პუბლიკაცია სატრანსპორტო მარშრუტიზაციის ამოცანებში ფაზი-მეთოდებისა და სქემების შესახებ. თუმცა, ყველა მათგანს გააჩნია საერთო მიდგომა. ისინი იყენებენ ექსპერტული ინფორმაციის მხოლოდ ერთ პოლუსს, როგორც არასრული ექსპერტული ინფორმაციის წარმოდგენას - ინფორმაციის უზუსტობას. ის წარმოადგენს მნიშვნელოვან ატრიბუტს ფაზი-სიდიდეებში (ჩვენს შემთხვევაში, პუნქტებს შორის გადაადგილების დროებში, წარმოდგენილი ფაზი-სამკუთხა რიცხვებში) და განიხილავს სატრანსპორტო მარშრუტიზაციის გადაწყვეტის მეთოდებს, რომელსაც ეწოდება ფაზი-სატრანსპორტო მარშრუტიზაციის ამოცანა (Fuzzy Vehicle Routing Problem (FVRP)). როგორც პროექტშია ნაჩვენები, ჩვენი მიდგომა განსხვავდება სხვებისგან და გულისხმობს ექსპერტული ინფორმაციის წარმოდგენისათვის მეორე მნიშვნელოვანი პოლუსის გამოყენებას - ინფორმაციის განუზღვრელობის ზომას ფაზი-ზომის (fuzzy measure) სახით პირველ პოლუსთან ერთად. ეს გვაძლევს ჩვენ ბევრად უფრო დასაჯერებელ აგრეგირების ინსტრუმენტებს - როგორც პარამეტრების შეფასებისათვის, ასევე სუბიექტური კრიტერიუმის აგებისათვის. ფაზი-ზომის როლში ვიყენებთ ე.წ. შესაძლებლობის ზომას (possibility measure) (როგორც გარკვეულ ალტერნატივას ალბათური ზომისთვის) და შესაძლებლობის ზომის თეორიას (possibility theory) აგრეგირებებში.

წარმოვადგინეთ ახალ პლატფორმა და ავაგეთ შესაძლებლობით განაწილების სიმულაციური მოდელირებით პარამეტრების ფორმირების ეფექტურ ალგორითმი (მისი სიდიდის გამო აქ არ მოგვყავს).

3.1 უპირატესობებზე დაფუძნებული ევრისტიკული ალგორითმის შექმნა

დღეისათვის NP-სირთულის ამოცანები ჩვეულებრივ გადაწყვეტილია მიახლოებითი ალგორითმების გამოყენებით (ევრისტიკული და მეტა-ევრისტიკული ალგორითმების ჩათვლით), რომლებიც დაფუძნებულია სხვადასხვა გონივრულ წარმოდგენაზე, რომელიც ჯამში გვაძლევს ვიპოვოთ „კარგი“ და რაციონალური გადაწყვეტილება საჭირო მომენტში.

პროექტში ჩვენ განვიხილავთ VRP პრობლემის გადაწყვეტის ორ-ეტაპიან მიდგომას. *პირველ ეტაპზე ყველა დასაშვები - დიდი რაოდენობა მარშრუტებიდან ვირჩევთ ე.წ. „იმედის მომცემ“ მარშრუტებს. მეორე ეტაპზე* - აგებული იმედის მომცემი მარშრუტებიდან ამოირჩევა ოპტიმალური მარშრუტები, *როგორც სატრანსპორტო ქსელის დაყოფა ჩაკეტილი მარშრუტების სახით. ეს უკანასკნელი ხორციელდება მინიმალური დაყოფის ამოცანის (the minimum partitioning problem (MPP)) გადაწყვეტით.*

პრაქტიკაში, დასაშვები მარშრუტების აგება ალგორითმის პირველ სტადიაზე შეუძლებელია რეალური პრობლემების დიდი რაოდენობის გამო. ამიტომ ჩვენ მივიჩნევთ დავაგენერიროთ მხოლოდ დასაშვები მარშრუტების შეზღუდულ რაოდენობა დაფუძნებული ევრისტიკულ არგუმენტებზე.

აგებულია ე.წ. „იმედის მომცემი მარშრუტების“ გენერაციის ალგორითმი, რომელშიც გათვალისწინებულია მომხმარებელთა გეოგრაფიული მდებარეობა; განსაზღვრულია მაქსიმალური მარშრუტის სიგრძე და სატრანსპორტო საშუალების ტვირთმზიდაობა.

გადაწყვეტილია ევრისტიკული მიდგომების აგების ამოცანა ე.წ. „იმედის მომცემი“ მარშრუტების გენერაციისთვის შესაძლო მარშრუტების სიმრავლიდან. ეს ამოცანა ძალიან მნიშვნელოვანია პროექტის დანარჩენი ამოცანების შესრულებისათვის პირველ ფაზაზე. შემუშავებულია ალგორითმები და სქემები. შექმნილია პროგრამული უზრუნველყოფა და მიღებულია ტესტირების შედეგები.

შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფა გატესტილია VRP ამოცანებისთვის ფართოდ გავრცელებული მონაცემთა ბიბლიოთეკის გამოყენებით (მაგალითად, TSPLIB).

II. 1. პუბლიკაციები:
ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Тариел Хведелидзе	Анализ поведения конечного стохастического автомата в тернарной стационарной случайной среде	N2(46), 2015	http//gesj.Internet-academy. Org.ge	6
ანოტაცია. შემოთავაზებულია სასრული სტოქასტური ავტომატის ქცევის ალგორითმი სამი კლასის რეაქციის (მოგება, წაგება, ინდიფერენტულობა) სტაციონარულ შემთხვევით გარემოში. მტკიცდება სასრული ავტომატების მიმდევრობის კრებადობა (როდესაც ავტომატის მეხსიერება $n \to \infty$) შესაბამისი უსასრულო ავტომატისაკენ და ჩამოყალიბებულია მისი შესაძლებელი ასიმპტოტური ქცევის სრული კლასიფიკაცია.					
2	ჯულაყიძე ლ.ე., ქოჩლაძე ზ.ი., კაიშაური თ.ვ.	ახალი tweakable ბლოკური შიფრის აგება ჰილის მოდიფიცირებული ალგორითმის გამოყენებით	საქართველოს საინჟინრო სიახლენი	No.1 (vol. 73), 2015	გვ. 44-49
3	ჯულაყიძე ლ.ე., ქოჩლაძე ზ.ი., კაიშაური თ.ვ.	ახალი სიმეტრიული tweakable ბლოკური შიფრი	საქართველოს საინჟინრო სიახლენი	No.1 (vol. 73), 2015	გვ. 50-56
4	Н.Джалябова, Г.Бесиашвили	Формирование базы знаний для медицинских систем Сборник трудов Институт систем управления	№19, 2015	Тбилиси Из-во.Универсал	7стр. 146-152
ცოდნის ბაზის ფორმირება სამედიცინო სისტემებისათვის სტატიაში განხილულია ცოდნის ბაზის აგების თავისებურებები, მოყვანილია წესების აგების მაგალითი, განხორციელებულია ლოგიკური გამოყვანის წესი ინფორმაციულ სისტემებში. ასხულია სამედიცინო ცოდნის ბაზის აგების ეტაპები, სამედიცინო ცოდნის ბაზასთან მუშაობის პირობებში ექსპერტის მოქმედების თანამიმდევრობა. ნაშრომში აღწერილი მეთოდი საშუალებას					

იძლევა ფორმულირებული იქნას ცოდნის ბაზის საწყისი მდგომარეობა, როგორც წესების სისტემის ერთობლიობა პარამეტრების იდენტიფიცირებული მნიშვნელობებისათვის. სამედიცინო ცოდნის ბაზების ფორმალური წარმოდგენა მოცემული ალგორითმის გამოყენებით საშუალებას იძლევა გამოვიყენოთ ისინი სამედიცინო დიაგნოსტიკის ექსპერტულ სისტემებში. შემოთავაზებული მიდგომები შეიძლება ადაპტირებული იქნას სხვადასხვა საგნობრივი არეებისათვის.					
5	P.Dvalishvili N.Gorgodze T.Tadumadze	Variation formulas of solution for neutral functional-differential equations with regard for the delay function perturbation and the continuous initial condition, Mem.Differential Equations Math. Phys.	64(2015)	Tbilisi	163-168
ფაზური სიჩქარის წინაისტორიის მიმართ წრფივი ნეიტრალური ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებისათვის ცვლადი დაგვიანებით მიღებულია ამონახსნის ვარიაციის ფორმულები.ვარიაციის ფორმულებში გამოვლენილია ფაზურ კოორდინატებში შემავალი დაგვიანების ფუნქციის შეშფოთების ეფექტი					

II. 2. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**Gia Sirbiladze, Koba Gelashvili, Irina Khutsishvili and Anna Sikharulidze**	Temporalized Structure of Bodies of Evidence in the Multi-Criteria Decision-Making Model, *International Journal of Information Technology & Decision Making*	Vol. 14, No. 03, pp. 565-596, 2015	World Scientific Publishing Company	32
2	**Gia Sirbiladze**	Method of Monte-	103-110, 2015	Recent Advances in	8

		Carlo for Generation of Possibility Levels of the Transport Movement on the Routes in Fuzzy Vehicle Routing Problem. Recent Advances in Systems. *Proceedings of the 19th International Conference on Systems* (part of CSCC '15)		Systems	
3	**Bezhan Ghvaberidze, Gia Sirbiladze, Bidzina Matsaberidze and Zurab Modebadze**	Two-Stage New New Approach for Bi-criteria Vehicle Routing Problem in Extreme Environment. Recent Advances in Systems. *Proceedings of the 19th International Conference on Systems* (part of CSCC '15),	111-118, 2015.	Recent Advances in Systems	9
4	**Irina Khutsishvili, Gia Sirbiladze and Bezhan Ghvaberidze**	TOPSIS based Hesitant Fuzzy MADM for Optimal Investment Decisions. Recent Advances in Systems. *Proceedings of the 19th International Conference on Systems* (part of CSCC '15)	119-124, 2015	Recent Advances in Systems	6
5	**Otar Badagadze and Gia Sirbiladze**	Possibilistic OWA-type Aggregations in the Business Start up Decision Making. Recent Advances in Systems. *Proceedings of the 19th International Conference on Systems* (part of CSCC '15),	125-128, 2015	Recent Advances in Systems	4

6	**Gia Sirbiladze, Otar Badagadze, Gvantsa Tsulaia and Archil Varshanidze**	Associated Probabilities of a Fuzzy Measure in the Aggregations of Fuzzy Probabilistic Mean Operators. *Georgian Electronic Scientific Journal: Computer Science and Telecommunications*	No.1(45), 93-123, 2015.	El/Journal pub.	31
7	**Irina Khutsishvili, Gia Sirbiladze and Gvantsa Tsulaia**	Hesitant Fuzzy MADM Approach in Optimal Selection of Investment Projects, *EPiC Series in Computer Science* International converence - GCAI	Vol. 36, 151-162, 2015.	Global Conference on Artificial Intelligence , Tbilisi, (2015) *EPiC Series in Computer Science*	12

1. In this paper, we perform the analysis of temporalized structure of bodies of evidence to construct more precise decisions based on the mathematical model of experts' evaluations. The relation of information precision is de¯ned on a monotone sequence of the bodies of evidence. For determining of a body of evidence the maximum principles of nonspeci¯city measure, the Shannon and Shapley entropies are applied. Corresponding mathematical programming problems are constructed. A new approach for the numerical solution of these problems is developed. The temporalized structure of bodies of evidence is used for précising the decision in the well-known Kaufmann's theory of expertons. A measure of increase of decision precision is introduced, which takes into account all steps of temporalization. The temporalized method of expertons is applied to the problem of decision risk management, where the investment fund expert commission provides evaluation of competition results. In our specially created decision-making model, the goal of the expert technology is to aggregate and re¯ne subjective evaluations provided by the expert commission members. The model performs as an adviser that assists the expert commission in selecting of decision with a minimum risks. The results of developed method are then compared with other well-known methods and aggregation operators such as: mean, median, ordered weighed averaging (OWA) and method of expertons.
2. The difficulty of movement between different customers in Fuzzy Vehicle Routing Problems cause the uncertainty of time of movement. In this work the uncertainty is presented by a possibility distribution on the set of customers of a closed route. Based on the possibility distribution a new multiple criteria fuzzy optimization approach for the solution of the optimal vehicle routing problem is considered. The min-max bi-criteria Vehicle Routing Problem is considered in fuzzy environment. A new subjective criterion – maximization of expectation of reliability of movement on closed routes is constructed. This problem is reduced on the Min-max bi-criteria fuzzy partitioning problem. For the generation of an unknown possibility distribution on the set of customers of a closed route a Monte-Carlo simulation algorithm is constructed. A numerical example is presented.
3. A fuzzy Vehicle Routing Problem is considered in the possibilistic environment. A new criterion – maximization of expectation of reliability for movement on closed routes is constructed. The objective of the research is to implement a two stage scheme for solution of this problem. Based on the algorithm

of preferences on the first stage the sample of so-called rational routes will be selected. On the second stage for the selected rational routes new bi-criteria problem will be solved - minimization of total traveled distance and maximization of reliability of routes. The problem will be stated as a fuzzy-partitioning problem. Two possible solutions of this scheme are considered.

4. The work proposes a novel two-stage multi-attribute decision making (MADM) approach for optimal selection of the investment projects. The methodology firstly makes ranking of projects based on TOPSIS (Technique for Order Preference by Similarity to Ideal Solution) method presented under hesitant fuzzy environment. The case when the information on the attributes weights is completely unknown is considered. The attributes weights identification based on De Luca-Termini information entropy is offered in context of hesitant fuzzy sets. The ranking of alternatives is made in accordance with the proximity of their distance to the positive and negative ideal solutions. Secondly, the methodology allows making the most profitable investments in several projects simultaneously. Using the method developed by authors for a possibilistic bicriteria optimization problem, the decision on an optimal distribution of the allocated investment amount among the selected projects is provided. An investment example is presented to illustrate the application of the proposed approach.
5. This work proposes a fuzzy methodology to support the Business Start up decisions. The methodology makes ranking of possible alternatives using the new aggregation OWA-type operator – AsPOWA, presented in the environment of possibility uncertainty. For numerical evaluation of the weighting vector associated with the AsPOWA operator the mathematical programming problem is constructed. The article provides an example of the investment decision-making that explains the work of the proposed methodology.
6. New aggregation operators are introduced: AsPOWA, AsFPOWA, SA-AsPOWA and SA-AsFPOWA. Some properties of new aggregation operators and their information measures are proved. Concrete faces of new operators are presented with respect to different monotone measures and mean operators. Concrete operators are induced by the Monotone Expectation (Choquet integral) or Fuzzy Expected Value (Sugeno integral) and the Associated Probability Class (APC) of a monotone measure. For the classification of “classic” and new operators of aggregation presented here, the Information Structure is introduced where the incomplete available information in the general decision making system is presented as a concatenation of uncertainty measure + imprecision variable + objective function of weights. For the new operators the information measures – Orness, Entropy, Divergence and Balance are introduced By R>R> Yager. For the illustration of new constructions of AsFPOWA and SA-AsFPOWA operators the example of fuzzy decision making problem regarding the political management with possibility uncertainty is considered. Several aggregation operators (“classic” and new operators) are used for the comparing of the results of decision making. The Ordered Weighted Averaging (OWA) operator was introduced by R.R. Yager to provide a method for aggregating inputs that lie between the max and min operators. In this article several variants of the generalizations of fuzzy probabilistic OWA operators POWA and FPOWA (introduced by J.M. Merigo) are presented in the environment of fuzzy uncertainty, where different monotone measures (fuzzy measure) are used as uncertainty measures. Monotone measures considered are: possibility measure, Sugeno –λ.
7. A fuzzy Vehicle Routing Problem is considered in the possibilistic environment. A new criterion – maximization of expectation of reliability for movement on closed routes is constructed. The objective of the research is to implement a two-stage scheme for solution of this problem. Based on the algorithm of preferences on the first stage the sample of so-called rational routes will be selected. On the second stage for the selected rational routes new bi-criteria problem will be solved - minimization of total traveled distance and maximization of reliability of routes. The problem will be stated as a fuzzy-partitioning problem. Two possible solutions of this scheme are considered. A numerical

example is presented for the illustration of the results of the new fuzzy approach.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
8	Megrelishvili R.,	Tropical Cryptography and Analyses of New Matrix One-Way Function With Two Versions of Protection	v. 9, 2015	International Journal of Applied Mathematics and Informatics (NAUN),	pp. 9-13.

სტატიის უცხოურ (კერძოდ ამერიკულ) ჟურნალში განთავსება, ცხადია არის მცდელობა, ერთის მხრივ, ახალი ორიგინალური ცალმხრივი ფუნქციის სათანადო სპეციალისტების წინაშე განხილვისათვის წარსადგენად და, მეორეს მხრივ, კიდევ ერთხელ გზას უხსნის ტროპიკული კრიპტოგრაფიის განხილვას და, თუ აღმოჩნდა, რომ შედეგი მართლაც არის შემცველი იმ თვისებებისა, რომელთა მქონებლადაც მას ავტორი მიიჩნევს (და ეს პროცესი მინიმუმ უკვე ორი წელია, რაც გრძელდება), მაშინ აღმოჩნდება, რომ ის კრიპტოგრაფიაში მართლაც გაუხსნის გზას ახალ მიმართულებას «ტროპიკული კრიპტოგრაფიის» სახით (თუ რას ნიშნავს ტროპიკული ოპერაციები, ამას გაცხადება არ სჭირდება, ხოლო თვით ტერმინი «ტროპიკული კრიპტოგრაფია», რა თქმა უნდა, ვიკიპედიაში საძებარი არ არის).

9	Irma Aslanishvili, Tariel Khvedelidze	Simple model for transmission control protocol (TCP) International journal “Information Models and Analyses”.	Volume 4, N1, 2015.	Sofia, 100, P.O.B. 775, Bulgaria, www.Ithea.org.	7

ანოტაცია. Ad hoc ქსელები რთული განაწილების სისტემებია, რომელიც შედგება უძრავი და სტატიკური კვანძებისაგან და შეუძლიათ თავისუფალი და დინამიური თვითორგანიზება. მობილური ან სტატიკური კვანძებისათვის დანაკარგებს იწვევს ad hoc ქსელის გადატვირთვა, რადგანაც მას გააჩნია ძირითადი ადგილი ქსელის დაცვაში. TCP (Transmission Control Protocol) პროტოკოლი შეიქმნა, რათა უზრუნველყოს მონაცემების საიმედო გადაცემა, არასანდო ქსელების შემთხვევაშიც კი. სტატიაში წარმოდგენილია მოდელი, თუ როგორი ეფექტური შეიძლება იყოს TCP უფრო დაბალი დონის პროტოკოლებისათვის.

10	Adelina Faradian, Teimuraz Manjafarashvili, Nikoloz Ivanauri	Designing a Decision Making Support Information System for the Operational Control of Industrial Technological Processes, IJITCS	vol.7, no.9, pp.1-7, 2015.	MECS (http://www.mecs-press.org/) DOI: 10.5815/ijitcs.2015.09.01	7

ფაზი ლოგიკა არის ახალი და ინოვაციური ტექნოლოგია, რომელიც გამოიყენება საინჟინრო კონტროლის განვითარებისათვის. განვლილ პერიოდში მან აჩვენა თავისი დიდი პოტენციალი განსაკუთრებით ინდუსტრიული პროცესების მართვის ავტომატიზაციისათვის, სადაც ის შესაძლებლობას იძლევა მართვის დიზაინი ფორმირებული იქნას ექსპერიმენტების შედეგებისა და ექსპერტების გამოცდილების ბაზაზე. ტექნოლოგიური პროცესების კონტროლისათვის ფაზი ლოგიკის გამოყენების საფუძველზე რეალიზებულმა პროექტებმა გვაჩვენა, რომ ისინი უკეთეს შედეგებს იძლევიან, ვიდრე სტანდარტული მართვის ტექნიკაზე დაფუძნებული პროექტები. ფაზი ლოგიკა შესაძლებლობას გვაძლევს გადაწყვეტილების მიღების მრჩეველი სისტემები ავაგოთ ოპერატორის გამოცდილებისა და ექსპერიმენტების შედეგების საფუძველზე მათემატიკურ მოდელებზე დაფუძნების გარეშე. მოცემული ნაშრომი მიზნად ისახავს ასეთი გადაწყვეტილების მიღების მრჩეველი საინფორმაციო სისტემის აგებას სპეციფიკური ტექნოლოგიური პროცესის - კირის გამოწვის ტექნოლოგიური პროცესისათვის ფაზი ლოგიკის გამოყენებით შესაბამისი ობიექტურ-ექსპერტული ცოდნის ბაზის ფორმირების საფუძველზე.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Megrelishvili R.	Tropical Cryptography and Original Matrix One- Way Function	International Conference on Computer Science and Applied Mathematics, Conferences Proceedings, (Sukhumi State University) March 21-23 , Tbilisi , Georgia, 2015, pp.87 -92.
2	Megrelishvili Richard, Shengelia Sofia,	Open Channel Key Exchange Algorithm and Fractal Structures Research	International Conference on Computer Science and Applied Mathematics, Conferences Proceedings (Sukhumi State University), March 21-23,Tbilisi, Georgia, 2015 pp. 93-97
პირველ სტატიაში მოცემულია ცალმხრივი ფუნქციის დაცვის ორი ვარიანტი. დაცვის პირველი ვარიანტი ფაქტიურად წარმოადგენს იმავე რესურსს, რაც გამოყენებულია ელგამალის მიერ თავისი ციფრული ალგორითმის განხორციელებისას, ხოლო მეორე ვარიანტი წარმოადგენს სრულიად ახალ მიმართულებას კრიპტოგრაფიაში.			

3	Гурам Церцвадзе Тариел Хведелидзе	Исследование поведения одного класса стохастических автоматов в тернарной случайной среде	აკადემიკოს ი.ფრანგიშვილის დაბადების 85-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები, მოდელირება, მართვა“ საქართველო, თბილისი, 3-5 ნოემბერი, 2015
4	ტარიელ ხვედელიძე	შემთხვევით გარემოში უსასრულო ავტომატის ქცევის ალგორითმი	თსუ მესამე საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში თბილისი-საქართველო 2-7 თებერვალი 2015 წ
3 ანოტაცია. შემოთავაზებულია ერთი კლასის სასრული სტოქასტური ავტომატების კონსტრუქცია, რომლებიც ფუნქციონირებენ სამი შესაძლებელი რეაქციის მქონე (მოგება, წაგება, ინდიფერენტულობა) სტაციონარულ შემთხვევით გარემოში. გამოკვლეულია შემოთავაზებული კონსტრუქციის სასრული ავტომატების მიმდევრობის კრებადობის საკითხი იმავე სტრუქტურის მქონე შესაბამისი უსასრულო ავტომატებისაკენ და ჩამოყალიბებულია მათი შესაძლებელი ასიმპტოტური ქცევის სრული კლასიფიკაცია, როდესაც ავტომატების მეხსიერება $n \to \infty$. 4 ანოტაცია. განიხილება ტერნარულ სტაციონარულ შემთხვევით გარემოში უსასრულო (მდგომარეობათა თვლადი რიცხვით) სტოქასტური ავტომატის ქცევის ალგორითმი და გამოთვლილია მისი ქცევის ძირითადი ალბათური მახასიათებლები.			
5	თ. მანჯაფარაშვილი	აპლიკანტის ტემპერამენტისა და ხასიათის ტიპის გამოცნობა ფაზი ინფორმაციული ტექნოლოგიის გამოყენებით	თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ENS-2015, თბილისი, 2015. http://conference.ens-2015.tsu.ge/lecture/update/180
დღეისათვის ონ-ლაინ თრეინინგი და კონსულტირება სულ უფრო პოპულარული ხდება. ეს მიღწეულია სხვადასხვა წარმატებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული ინსტრუმენტების – Electronic (ICTE)-ის გამოყენებით. ICTE-ის უბრალო გამოყენება არ არის გარანტია ონ-ლაინ სწავლის წარმატებისა. მაშასადამე, საჭიროა მნიშვნელოვანი ცვლილებები თრეინინგის პროცესში. ადამიანებს გააჩნიათ სხვადასხვა აღქმა ინფორმაციისა და სხვადასხვა ტიპი ტემპერამენტისა. ამიტომაც თრეინინგის პროცესი უნდა მოერგოს თითოეულის საჭიროებას. თრეინინგის სიტემამ უნდა გაითვალიწინოს ის, რომ ადამიანებს ინფორმაციის აღქმის სხვადასხვა სტილი აქვთ მოსწავლის-სტაჟიორის ტემპერამენტისა და ხასიათისა ტიპის შესაბამისად. ეს შეამცირებდა ონ-ლაინ თრეინინგის სიგრძეს და გაზრდიდა მის ხარისხს. ყველა ადამიანი უნიკალურია - საკუთარი პიროვნული თავისებურებებით (იდიოსინკრეზითა) და რეაქციებით სხვადასხვა სიტუაციებზე. ეს სხვაობები აიხსნება იმით, რომ ადამიანებს აქვთ სხვადასხვა ტიპის ხასიათი და ტემპერამენტი. შეიძლება ჩავთვალოთ, რომ პიროვნების ქცევა და			

მენტალური აქტივობა მისი ტემპერამენტის ანარეკლია. ამიტომ ფსიქოლოგების დიდი ინტერესი ყოველთვის იყო სხვადასხვა სპეციალური ტესტებით მისი ტემპერამენტისა და სხვა პიროვნული მახასიათებლების დადგენა. ფსიქომეტრული ტესტები შეიძლება განკუთვნილი იყოს მხოლოდ ერთი ან რამდენიმე ფაქტორის (უნარის, ნიჭის) შესაფასებლად. დღეისათვის არსებობს უამრავი გავრცელებული ფსიქომეტრული ტესტი ადამიანის სხვადასხვა ტიპის პიროვნული თავისებურებების დასადგენად.

ტემპერამენტი არის კონფიგურაცია ხასიათის ხილული თვისებებისა, როგორიცაა: კომუნიკაციის ჩვევები, ქცევის ნიმუშები, დამახასიათებელი დამოკიდებულებების ერთობლიობა, ღირებულებები და ნიჭი.

ტრადიციული ფსიქომეტრიული ტესტები, ჩვეულებრივ, ძალიან გრძელი და რთულია, ემყარება პიროვნების აზრს თავის თავზე და ამდენად, ისინი იძლევა სხვადასხვა შედეგებს პიროვნების განწყობისდა მიხედვით. ასევე, განწყობისა და საჭიროებისდა მიხედვით, პიროვნება შეიძლება მანიპულირებდეს შესაძლო პასუხებით. ეს ხდება იმიტომ, რომ ასეთი ტესტების კითხვებზე პასუხები ძირითადად ცნობიერებაში მიმდინარე პროცესებს ეყრდნობა. ამიტომ ტრადიციული ტესტებიდან - კითხვარებიდან ცალკე არსებობს სხვა ტიპის ტესტები: ხატვის, ფერების, გეომეტრიული ფიგურების, სურათების, კარტის თამაშის, რიცხვების, სცენარის, ხელნაწერის ანალიზის, ხაზვის და სხვა ტესტები. ასეთი სახის ტესტების განსაკუთრებული უპირატესობაა ის, რომ ისინი უფრო ქვეცნობიერებაში მიმდინარე პროცესებს ეყრდნობა და ამიტომ უფრო თავისუფალია მანიპულირებისაგან, თანაც მნიშვნელოვნად ნაკლებ დროს მოითხოვენ და განწყობაზეც ნაკლებად არიან დამოკიდებული.

ჩვენი ამოცანა იყო რამოდენიმე ასეთი სხვა ტიპის ტესტის კომბინაციით და სუბიექტური ინფორმაციის წარმოდგენისა და დამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შეგვექმნა მოკლე, სწრაფი და მანიპულირების შესაძლებლობებიდან თავისუფალი ტესტი–პროგრამა, რომელიც მოგვცემდა საშუალებას დაგვედგინა აპლიკანტის ტემპერამენტისა და ხასიათის ტიპი ელექტრონული სწავლებისა თუ სხვა საჭიროებისათვის.

6	Zurab Kochladze	Modified Version of the Hill' s Algorithm	2015 Tbilisis International Conference on Computer Science and Applied Mathematics March 21-23 2015, Tbilisi, Conference's proceedings. pp. 98-102
მოხსენებაში წარმოდგენილი იყო, თუ როგორ შეიძლება გამოვიყენოთ ჰილის ალგორითმის ერთი მოდიფიკაცია თანამედროვე სიმეტრიულ ალგორითმებში.			
7	გ.ბესიაშვილი, თ.ბლიაძე, ზ. ქოჩლაძე Gela Besiashvili, Tamar Bliadze and Zurab Kochladze	სპამის ფილტრაცია ადაპტური ნეირონული ქსელების გამოყენებით Application of Adaptive Neural Networks for the Filtr ation of Spam	გლობალური კონფერენცია ხელოვნურ ინტელექტში,თბილისი,16-19 ოქტომბერი,2015 GCAI 2015. Global Conference on Artificial Intelligence,Tbilisi,16-19 october
8	М.Г.Микеладзе, В.С.Радзиевский. Г.М.Бесиашвили,и др.	Интеллектуальный анализ данных в задачах медицинской диагностики	академиკოს ივერი ფრანგიშვილის დაბადების 85–ე წლისთავსადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია « საინფორმაციო და კომპიუტერული

			ტექნოლოგიები, მოდელირება, მართვა – 2015 (სკტ–მმ 2015)»

7-8 ადაპტური ნეირონული ქსელის გამოყენება სპამის ფილტრაციისთვის

აბსტრაქტი. დღეს ელექტრონული ფოსტით სარგებლობა კომუნიკაციის ყველაზე უფრო გავრცელებული მეთოდია. ე-მეილების რაოდენობა განუწყვეტლივ იზრდება, მაგრამ სამწუხაროდ, განუწყვეტლივ იზრდება აგრეთვე არასასურველ შეტყობინებათა (სპამების) რაოდენობაც. სტატისტიკის მიხედვით ტრაფიკების 80% წარმოადგენს სპამს. სპამი ანელებს ინტერნეტ ტრაფიკს, იკავებს სირცეს დისკზე, ამცირებს ქსელის გამტარუნარიანობას, რომ აღარფერი ვთქვათ მათ კლასიფიკაციაზე ადამიანის მიერ დახარჯულ დროზე. ყოველივე აქედან გამომდინარე, აუცილებელია სპამებისგან თავის დაცვის მეთოდების შემუშავება.

ყველაზე თანამედროვე ე-მეილის სერვის პაკეტები ახდენენ სპამების გარკვეული სახით პროგრამულ ფილტრაციას. მაგრამ ე-მეილების კლასიფიკაცია სასურველ და არასასურველ (სპამებად) შეტყობინებად მთლიანად დამოკიდებულია მომხმარებელზე. ის რაც ერთი მომხმარებლისთვის წარმოადგენს სასურველ (ზოგჯერ აუცილებელ) ინფორმაციას, მეორესთვის შეიძლება იყოს სპამი. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია სპამების ავტომატური ფილტრაციის ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც მორგებული იქნება ინდივიდუალურ მომხმარებელზე,

ნაშრომში განხილულია ამ პრობლემის გადაჭრის ერთერთი შესაძლო ვარიანტი. აგებულია დასწავლადი სისტემა, რომელსაც მომხმარებლის მიერ განსაზღვრული პრამეტრების მიხედვით შეუძლია დაისწავლოს რომელი ე-მეილები წარმოადგენენ მომხმარებლისთვის არასასურველ ე-მეილებს (სპამებს) და შემდეგ უკვე მოახდინოს მათი ფილტრაცია.

ვინაიდან დასწავლის პროცესის მოდელირება ყველაზე ადვილად შეიძლება განხორციელდეს ნეირონული ქსელების საშუალებით, სისტემა აგებულია მრავალშრიანი ნეირონული ქსელის საფუძველზე, რომელიც იყენებს ლოჯისტიკურ აქტივაციურ ფუნქციას, მასწავლებლით დასწავლის მეთოდს და შეცდომათა უკუგავრცელების ალგორითმს.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**Gia Sirbiladze**	New Two-Stage Approach for Bi-criteria Vehicle Routing Problem in Extreme Environment	*19th International Conference on Systems* (part of CSCC '15), Recent Advances in Systems, Zakinthos, Greece, 2015.
2	**Gvantsa Tsulaia**	Hesitant Fuzzy MADM Approach in Optimal Selection of Investment Projects	GCAI 2015. Global Conference on Artificial Intelligence (GCAI 2015), Tbilisi, 2015.
3	**Otar Badagadze**	Possibilistic OWA-type Aggregations in the Business Start up Decision Making. Recent Advances in Systems.	*19th International Conference on Systems* (part of CSCC '15), Recent Advances in Systems, Zakinthos, Greece, 2015.
4	**Irina Khutsishvili**	TOPSIS based Hesitant Fuzzy	*19th International Conference*

		MADM for Optimal Investment Decisions	*on Systems* (part of CSCC '15), Recent Advances in Systems, Zakinthos, Greece, 2015.
5	**Gia Sirbiladze**	Method of Monte-Carlo for Generation of Possibility Levels of the Transport Movement on the Routes in Fuzzy Vehicle Routing Problem	*19th International Conference on Systems* (part of CSCC '15), Recent Advances in Systems, Zakinthos, Greece, 2015.

1. A fuzzy Vehicle Routing Problem is considered in the possibilistic environment. A new criterion – maximization of expectation of reliability for movement on closed routes is constructed. The objective of the research is to implement a two stage scheme for solution of this problem. Based on the algorithm of preferences on the first stage the sample of so-called rational routes will be selected. On the second stage for the selected rational routes new bi-criteria problem will be solved - minimization of total traveled distance and maximization of reliability of routes. The problem will be stated as a fuzzy-partitioning problem. Two possible solutions of this scheme are considered.
2. A fuzzy Vehicle Routing Problem is considered in the possibilistic environment. A new criterion – maximization of expectation of reliability for movement on closed routes is constructed. The objective of the research is to implement a two-stage scheme for solution of this problem. Based on the algorithm of preferences on the first stage the sample of so-called rational routes will be selected. On the second stage for the selected rational routes new bi-criteria problem will be solved - minimization of total traveled distance and maximization of reliability of routes. The problem will be stated as a fuzzy-partitioning problem. Two possible solutions of this scheme are considered. A numerical example is presented for the illustration of the results of the new fuzzy approach.
3. This work proposes a fuzzy methodology to support the Business Start up decisions. The methodology makes ranking of possible alternatives using the new aggregation OWA-type operator – AsPOWA, presented in the environment of possibility uncertainty. For numerical evaluation of the weighting vector associated with the AsPOWA operator the mathematical programming problem is constructed. The article provides an example of the investment decision-making that explains the work of the proposed methodology.
4. The work proposes a novel two-stage multi-attribute decision making (MADM) approach for optimal selection of the investment projects. The methodology firstly makes ranking of projects based on TOPSIS (Technique for Order Preference by Similarity to Ideal Solution) method presented under hesitant fuzzy environment. The case when the information on the attributes weights is completely unknown is considered. The attributes weights identification based on De Luca-Termini information entropy is offered in context of hesitant fuzzy sets. The ranking of alternatives is made in accordance with the proximity of their distance to the positive and negative ideal solutions. Secondly, the methodology allows making the most profitable investments in several projects simultaneously. Using the method developed by authors for a possibilistic bicriteria optimization problem, the decision on an optimal distribution of the allocated investment amount among the selected projects is provided. An investment example is presented to illustrate the application of the proposed approach.
5. The difficulty of movement between different customers in Fuzzy Vehicle Routing Problems cause the uncertainty of time of movement. In this work the uncertainty is presented by a possibility distribution on the set of customers of a closed route. Based on the possibility distribution a new multiple criteria fuzzy optimization approach for the solution of the optimal vehicle routing

	problem is considered. The min-max bi-criteria Vehicle Routing Problem is considered in fuzzy environment. A new subjective criterion – maximization of expectation of reliability of movement on closed routes is constructed. This problem is reduced on the Min-max bi-criteria fuzzy partitioning problem. For the generation of an unknown possibility distribution on the set of customers of a closed route a Monte-Carlo simulation algorithm is constructed. A numerical example is presented.		
6	Irma Aslanishvili Tariel Khvedelidze	Performance Analysis of Multicast Routing Protocols	ICCMIT'15 Conference Program, Prague, Czech Republic, 20-22 April 2015
ანოტაცია. შესწავლილია მობილური კავშირი ერთ რანგიანი AD Hoc ქსელებისთვის. AD Hoc ქსელები რთული განაწილების სისტემების ერთ რანგიანი ქსელებია, რომლებიც შედგებიან უკაბელო მობილური და სტატიკური კვანძებისგან და შეუძლიათ თავისუფალი და დინამიური თვითორგანიზება. სტატიაში განხილულია პაკეტების გადაცემის ხის ტოპოლოგიის ეფექტურობა და უსაფრთხოება. მოდელირების მიზანს წარმოადგენს გადაცემის ხის ეფექტურობისა და უსაფრთხოების შეფასება. მოდელირების შესრულების ანალიზი შედგება ორი ძირითადი მიზნისაგან: ამოირჩეს ძირითადი გასაღები პარამეტრები და გააანალიზდეს სხვა და სხვა ქსელისათვის მოძრაობის მობილურობის სურათი. გამოყენებითი ანალიზი იყოფა ორ ნაწილად: გადაცემის ხის ანალიზი და პროტოკოლების შედარება.			
7	P. Dvalishvili	Continuous dependence of the minimum of the Bolza type functional on the parameters in the optimal control problem with distributed delay	Amadora, Portugal, May 18-22, 2015
განაწილებული დაგვიანების შემცველ ოპტიმალური მართვის ამოცანისათვის ბოლცას ტიპის ფუნქციონალით დამტკიცებულია ფუნქციონალის მინიმუმის პარამეტრებზე უწყვეტად დამოკიდებულების თეორემა			

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	**ახალი აგრეგირების ოპერატორები მრავალკრიტერიალურ გადაწყვეტილების მიღების მეთოდებში ინტუიციონისტური და ჰესიტანტური ფაზი - გარემოებებისთვის -** *საინფორმაციო*	**პროფ. გია სირბილაძე**	**პროფ. გია სირბილაძე, ასოც. პროფ. ირინა ხუციშვილი, ასოც. პრფ. თეიმურაზ მანჯაფარაშვილი, დოქტორანტები - ოთარ ბადაგაძე, გვანცა წულაია და**	**ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროგრამის**

	ტექნოლოგიები		**არჩილ ვარშანიძე**	**ფარგლებში მიღებული გრანტი**

განიხილება შემდეგი ძირითადი ამოცანები:

1. ინტუიციონისტური და ჰესიტანტური ფაზი-აგრეგირების ოპერატორები.

თეორია და პრაქტიკა:

გადაწყვეტილების მიღების რთულ ამოცანებში, განუზღვრელ პირობებში, როდესაც ობიექტური მონაცემები არასაკმარისია ან საერთოდ არ არსებობს და არსებული მონაცემები მხოლოდ ექსპერტული ბუნებისაა, ეს უკანასკნელი წარმოდგენილი იქნება შემდეგი ორი პოლუსით: ერთი მხრივ ეს არის ფაზი-უზუსტობის კატეგორიები: ფაზი-სიმრავლეები, ფაზი-რიცხვები, ფაზი-მიმართებები, ხოლო მეორე მხრივ ეს არის ფაზი-განუზღვრელობის ზომები, როგორიცაა: შესაძლებლობითი ზომები, დემპსტერ-შეიფერის ნდობის სტრუქტურა. ალბათური ზომები, სუჯენოს λ ზომები და სხვა. სემინარული მუშაობის ფარგლებში დავამუშავეთ ინტუიციონისტური და ჰესიტანტური ფაზი-აგრეგირების ოპერატორები. გავიარეთ მათი იდენთიფიკაციისა და კლასიფიკაციის საკითხები. შემუშავდა მეთოდები აგრეგირების ოპერატორების ინდიკატორების საფუძვლიანი შესაწავლისთვის. ფაზი-ალბათური ანალოგიური აგრეგირების ოპარატორებისთვის მოვამზადეთ სტატია და დასაბეჭდად გადავეცით ელ/ჟურნალში:Computer Science and Telecommunications სახელწოდებით:

Sirbiladze Gia, Badagadze Otar, Tsulaia Gvantsa and Varshanidze Archil, *Associated Probabilities of a Fuzzy Measure in the Aggregations of Fuzzy Probabilistic Mean Operators,* Computer Science and Telecommunications,1(45), (2015), 93-123.

2. განზოგადოებული ინტუიციონისტური ფაზი-აგრეგირების ოპერატორების აგება.

წინა ამოცანებიდან გამომდინარე შეიქმნა წინა პირობა ახალი აგრეგირების ოპერატორების ასაგებად **ინტუიციონისტური ფაზი გარემოში.** გამოყენებულია დღევანდელ დღეს გადაწყვეტილების მიღების აგრეგირების ინსტრუმენტებიდან გამორჩეული. OWA-ს ტიპის ოპერატორები, რომლებიც ხშირ შემთხვევებში აგრეგირებას უკეთებენ ობიექტურ განუზღვრელ, ალბათურ გარემოს. ჩვენს მიერ განვითარებულია OWA-ს ტიპის ახალი განზოგადოებები, როდესაც განუზღვრელობის და უზუსტობის პოლუსები წარმოდგენილია ინტუიციონისტური ფაზი-გარემოებებში, ექსპერტული შეფასებები კი წარმოდგენილია ინტუიციონისტური წყვილი . მეორე მხრივ, ფაზი-განუზღვრელობის პოლუსი კი წარმოდგენილია ისეთი მონოტონური (ფაზი) ზომებით, როგორიცაა: შესაძლებლობის ზომა, დემპსტერ-შეიფერის ნდობის სტრუქტურა, სუჯენოს λ ზომა და ა.შ. *ეს საკითხები დოქტორანტ გვანცა წულაიას მიერ გატანილი იქნა კონფერენციაზე:*

GCAI 2015/ Global Conference on Atificial Intelligence; მოხსენების სათაური: Hesitant Fuzzy MADM Approach in Optimal Selection of Investment Projects.

http://easychair.org/smart-program/GCAI2015/index.html

3. განზოგადოებული ჰესიტანტური ფაზი-აგრეგირების ოპერატორების აგება.

წინა ამოცანებიდან გამომდინარე შეიქმნა წინა პირობა ახალი აგრეგირების ოპერატორების ასაგებად **ჰესიტანტური ფაზი გარემოში.** გამოყენებულია დღევანდელ დღეს გადაწყვეტილების მიღების აგრეგირების ინსტრუმენტებიდან გამორჩეული. OWA-ს ტიპის ოპერატორები, რომლებიც ხშირ შემთხვევებში აგრეგირებას უკეთებენ ობიექტურ განუზღვრელ, ალბათურ გარემოს. ჩვენს მიერ განვითარებულია OWA-ს ტიპის ახალი განზოგადოებები, როდესაც განუზღვრელობის და უზუსტობის პოლუსები წარმოდგენილა ჰესიტანტური ფაზი-გარემოებებში, ექსპერტული შეფასებები წარმოდგენილია *ჰესიტანტური მრავალსახა წარმოდგენებით.. მეორე* მხრივ, ფაზი-განუზღვრელობის პოლუსი კი წარმოდგენილია ისეთი მონოტონური (ფაზი) ზომებით, როგორიცაა: შესაძლებლობის ზომა, დემპსტერ-შეიფერის ნდობის სტრუქტურა, სუჯენოს λ ზომა და ა.შ.

მზადდება სტატია გამოსაქვეყნებლად.

4. ახალი აგრეგირების ოპერატორების გამოყენება გადაწყვეტილების მიღების მრავალკრიტერიალურ მოდელებში.

მესამე ამოცანის რეალიზაციის ბაზაზე აიგება ამოცანა კონკრეტული პრობლემატიკის გადაწყვეტილების მიღების მრავალკრიტერიალურ მოდელში. გამოყენებული იქნა მეორე და მესამე ამოცანებში კონსტრუირებილი აგრეგირების ინტუიციონისტური და ჰესიტანტური აგრეგირების ოპერატორები. გაკეთდა რიცხვითი გამოთვლები სხვა ცნობილი აგრეგირების ინსტრუმენტებთან შედარების მიზანით. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ახალი აგრეგირებები წარმოადგენს სანდო და აქტუალურ ინსტრუმენტს, როცა ფაქტორებზე მონაცემები მხოლოდ ექსპერტული ბუნებისაა და აგრეგირებებში გამოყენებულია არასრული ექსპერტული ინფორმაციის ორივე პოლუსი -განუზღვრელობა და უზუსტობა.

აგრეგირებით გამოთვლილმა სკალარულმა სიდიდეებმა ალტერნატივების ოპტიმალური არჩევისა და რანჟირების შესაძლებლობა მოგვცა. ცხადია, რანჟირება გულისხმობს ალტერნატივების დალაგებას საუკეთესოდან უარესი გადაწყვეტილებისკენ.

აქ შევნიშნოთ რომ განუზღვრელობისა და უზუსტობის პოლუსები წარმოდგენილია დღეს ყველაზე აქტუალური აპარატით ინტუიციონისტური და ჰესიტანტური ფაზი-გარემოებებში, სადაც ექსპერტული შეფასებები წარმოდგენილია ინტუიციონისტური წყვილი შეფასებებით, ან ნაკრები ექსპერტული - ჰესიტანტით. ფაზი-განუზღვრელობა კი წარმოდგენილია ისეთი მონოტონური (ფაზი) ზომებით, როგორიცაა: შესაძლებლობის ზომა, დემპსტერ-შეიფერის ნდობის სტრუქტურა, სუჯენოს λ ზომა და ა.შ.

*პროექტის ფარგლებში შესრულებული სამუშაოს ფარგლებში გამოქვეყნდა **მეორე ნაშრომი,** რომელსაც საფუძვლად დაედო <u>დოქტორანტ გვანცა წულაიას</u> მიერ საერთაშორისო კონფერენციაზე გაკეთებული მოხსენება:*

Irina Khutsishvili, Gia Sirbiladze and Gvantsa Tsulaia, Hesitant Fuzzy MADM Approach in Optimal Selection of Investment Projects, *EPiC Series in Computer Science* (2015) 151-162.

5. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა აგებული ოპერატორების გამოყენების მიზნით.

მეხუთე ამოცანის გადაწყვეტა გულისხმობდა პროექტის მთავარ პროდუქტის შექმნას. აქ გადამწყვეტი სამუშაო გაწეულია პროექტის მონაწილეების, დოქტორანტების არჩილ ვარშანიძისა და გვანცა წულაიას მიერ:

პროგრამული პროდუქტის იმპლემენტაცია შესრულდა პროექტზე მუშაობის ბოლო თვეებში, ხოლო ტესტირება და შემოწმება ჩატარდა წლის ბოლო თვეს.

განხორციელდა შედეგების წარდგენა, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო კონფერენციებზე. დაიბეჭდა ორი კვლევითი სტატია საერთაშორისო მნიშვნელობის ჟურნალში. შეიქმნა პროგრამული უზრუნველყოფა აგებული ოპერატორებით სარგებლობის მიზნით. დაიგეგმა სტრატეგიული მენეჯმენტის პრობლემურ ამოცანებში შექმნილი ინსტრუმენტის გამოყენების პერსპექტივები. განისაზღვრა მომავალი ახალი მიდგომები, დაფუძნებული მიღებულ შედეგებზე. ასევე განისაზღვრა გზები და პერსპექტივები შედეგების კომერციალიზაციის მიზნით.

<u>დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მიზნობრივი პროექტი ჩვენი სტუდენტებისთვის (ამ შემთხვევაში დოქტორანტებისთვის) კვლევითი საქმიანობის მნიშვნელოვან ხელშემწყობ საშუალებას წარმოადგენს. სასურველია ასეთი პროექტების გაფართოება ფაკულტეტზე შესაბამისი მნიშვნელოვანი ფონდის შექმნით.</u>

პრაქტიკული ინფორმატიკის კათედრა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფ. **კობა გელაშვილი**

კათედრის შემადგენლობა: პროფ. კობა გელაშვილი, ასოც. პროფ. ბიძინა მიდოდაშვილი, ასოც. პროფ. ირინა ხუციშვილი, ასოც. პროფ. ნათელა არჩვაძე, ასისტ. პროფ. ლიანა ლორთქიფანიძე

I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ქართული ენის სხვადასხვა ლექსიკონებიდან GeWordNet თესაურუსის ავტომატური კომპილირება კომპიუტერული ლინგვისტიკა	ლიანა ლორთქიფანიძე	ლიანა ლორთქიფანიძე, რუდოლფ ერემიანი
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები პირველ ეტაპზე პროექტის ფარგლებში შემუშავებული ალგორითმებისა და პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით შეივსო მონაცემთა ბაზები ელექტრონული ლექსიკონებიდან. მოხდა მათი რედაქტირება და ფორმატირება სალექსიკონო ერთეულის ინფორმაციული ველების მიხედვით, რაც გულისხმობს თითოეული სალექსიკონო ერთეულის დაყოფას შემდეგი მნიშვნელობების მიხედვით: სათაო სიტყვა/ცნება; განმარტება; სინონიმი/სინონიმები; ანტონიმი/ანტონიმები; ილუსტრაცია/ილუსტრაციები; სხვა ენიდან შესატყვისი/შესატყვისები და სხვ. ველების რაოდენობა განისაზღვრა თითოეული კონკრეტული ლექსიკონის მიხედვით.			

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	კრებადობის შეთანხმებული შეფასებები მაღალი რიგის სხვაობებით დაზუსტების მეთოდში	შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, SRNS 31/18	გ. ბერიკელაშვილი	გ. ბერიკელაშვილი, **ბ. მიდოდაშვილი**

დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი კვლევები:

სტატიკური დრეკადობის თეორიის მესამე (ხისტი კონტაქტის) ამოცანისათვის და პუასონის განტოლებისათვის დასმული ბიწაძე-სამარსკის ტიპის არალოკალური სასაზღვრო ამოცანისათვის შესწავლილია მაღალი რიგის სიზუსტის ამონახსნების მიღების მეთოდი.

საბაზისოდ მეორე რიგის სიზუსტის სხვაობიანი სქემა გამოიყენება, რომლის ამონახსნით ვახდენთ სქემის მარჯვენა მხარის კორექციას. დამტკიცებულია კორექტირებული ამონახსნის კრებადობა m -ური რიგით, თუ დიფერენციალური ამოცანის ამონახსნი მიეკუთვნება $m \in (2, 4]$ მაჩვენებლიან სობოლევ-სლობოდეცკის სივრცეს. ჩატარებული რიცხვითი ექსპერიმენტები ადასტურებენ ალგორითმის საიმედობას.

	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2	ახალი ფიზიკის სიგნალის ძიება ATLAS ექსპერიმენტზე	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი სახელმწიფო გრანტი 13/03	პროფ. ირაკლი მინაშვილი	გელა დევიძე, თამარ ჯობავა, ჯემალ ხუბუა, მაია მოსიძე, **ირინა ხუციშვილი**, გვანცა მჭედლიძე, აკაკი ლიპარტელიანი

დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სამუშაო: ATLAS-ზე დაგროვილი შემთხვევების ანალიზი.

ექსპერიმენტული და დაგენერირებული (სიმულირებული) მონაცემების დამუშავებისთვის გამოყენებულ იქნა ROOT-ზე დაფუძნებული TopRootCoreRelease-14-00-20 პროგრამული პაკეტი. პროექტის მე-2 ამოცანის და ანალიზის მოთხოვნებიდან გამომდინარე მოხდა TopRootCoreRelease-14-00-20 პაკეტის ქვეპაკეტების TopD3PDSelection, TopMiniNtuple და AnaExample მოდიფიცირება და შესწორებების შეტანა.

მონაწილეობას ვღებულობ პროექტის მე-2 ამოცანის შესრულებაში.

	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
3	ახალი ფიზიკის ეფექტების შესწავლა აშნდ-თი ინსპირირებულ პროცესებში LHC ATLAS ექსპერიმენტში	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო სახელმწიფო გრანტი 31/44	პროფ. თამარ ჯობავა	მაია მოსიძე, გელა დევიძე, ჯემალ ხუბუა, **ირინა ხუციშვილი**, არჩილ დურგლიშვილი, აკაკი ლიპარტელიანი

დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი კვლევები:

2011-2012 წლებში დაგროვილი ATLAS – ექსპერიმენტის საწყის მონაცემებზე ტოპ კვარკის FCNC იშვიათი დაშლების ძიების მეთოდების განვითარება, ძირითადი ფონური პროცესების ($t\bar{t}$ და Z+jets) შესწავლა ATLAS-ის მონაცემებზე დაყრდნობით. ასევე გრძელდებოდა მუშაობა ამოცანის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა–მოდიფიცირებაზე.

მონაწილეობა მივიღე მონაცემთა ანალიზის პროგრამების პაკეტის შექმნაში C++ დაპროგრამების ენაზე.

	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
4	ქართული ენის კორპუსის სრული (მორფოლოგიური, სინტაქსური, სემანტიკური) ანოტირების სისტემა (2013-2015). ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, კომპიუტერული ლინგვისტიკა	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	გიორგი ჩიკოიძე	ლიანა ლორთქიფანიძე, ანა ჩუტკერაშვილი, ლიანა სამსონაძე, მერი გეგეჭკორი, ნინო ამირეზაშვილი, ნინო ჯავაშვილი, შურა ჩადუნელი.

დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

პროექტის ფარგლებში იგეგმება ლიტერატურული ნაწარმოებების ავტორის – ოთარ ჭილაძის ტექსტური კორპუსის მორფოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური ნიშნებით ანოტირება.

მიმდინარე პერიოდში განხორციელდა ტექსტების შესაბამისი რელაციური ბაზების სტრუქტურირება მორფოლოგიური სინტაქსური და სემანტიკური მახასიათებლების მიხედვით.

შემუშავდა საცდელი ვირტუალური სერვერი და მისი შესაბამისი რელაციური ბაზები ერთი ავტორის ლინგვისტური კორპუსი მეტაანოტირების სტანდარტების მიხედვით.

შემუშავდა ქართული ენის ლექსიკური ფუნქციები კორპუსის სემანტიკური ანალიზატორისთვის.

მიმდინარეობს ვებ-აპლიკაციის საცდელი ვერსიის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსების სამუშაოები.

	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

5	ქართულ სიტყვათა ქსელის კომპაილერი – GeWordNet	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ლიანა ლორთქიფანიძე	გიორგი ჩიკოიძე, ანა ჩუტკერაშვილი, ლიანა სამსონაძე, მერი გეგეჭკორი, ნინო ამირეზაშვილი, ნინო ჯავაშვილი.

დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

პროექტის მიზანია ქართული ენისთვის WordNet თესაურუსის ტექნოლოგიის მიხედვით ლექსიკო-სემანტიკური რესურსის კომპაილერის შემუშავება და მისი გამოყენებით ქართულ სიტყვათა ქსელის – GeWordNet-ის საპილოტე ვერსიის ვებ-გვერდზე განთავსება, ასევე WordNet ტექნოლოგიის შესაბამისად ორგანიზებული ქართული ენის ლექსიკური სისტემის ჩართვა გლობალურ ქსელში.

მიმდინარე პერიოდში WordNet თესაურუსის ტექნოლოგიის სტანდარტების გათვალისწინებით შემუშავდა GeWordNet-ის თესაურუსის შედგენის ძირითადი პრინციპები.

სხვადასხვა ჟანრული კლასიფიკაციის მიხედვით შედგინდა ქართული ენის მილიონსიტყვიანი კორპუსი.

შესწავლილ იქნა ტექსტური ინფორმაციის დამუშავების ვექტორული სივრცის მოდელების ალგორითმიზაციის მეთოდი.

შეიქმნა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ლექსიკოგრაფიულ მონაცემთა ბაზა.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ-ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	K. Gelashvili Irina Khutsishvili Papuna Qarchava	Unconstrained minimization test functions collection, implemented in C++. FENS eprints	http://eprints.tsu.ge/234/	TSU ელექტრონული გამოცემა	41

ანოტაცია

უპირობო მინიმიზაციის ამოცანისთვის, ვრცელი, არაერთგვაროვანი და C++ ენაზე რეალიზებული ტესტ-ფუნქციების კოლექციის არსებობა სასარგებლოა როგორც სამეცნიერო, ასევე სასწავლო ასპექტისთვის. მით უმეტეს, რომ ინტერნეტი არ გვთავაზობს ასეთ კოლექციას, განსხვავებით FORTRAN-ის, AMPL-ისდა Python-ისგან. წარმოდგენილ სტატიაში მოყვანილია 44

ხშირად გამოყენებადი ტესტ-ფუნქციის C++ კოდი. განხილულია აგრეთვე შემოთავაზებული C/C++ ტესტ-ფუნქციების კოლექციის აჩქარების და მოდიფიცირების საკითხი C/C++ -ზე დაპროგრამებული მინიმიზაციის ალგორითმების სხვადასხვა ბიბლიოთეკისთვის.

2	M.Pkhovelishvili, N.Archvadze	Usage of fast search algorythm in data in clusters	IV-th Scientific-Practical Conference Problems of Business Development in the global Economy.	WWW.sba.edu.ge	pp.57-61.
3	N.Archvadze, M.Pkhovelishvili	Several Issues of Parallel Programs Verification for Functional Languages through Kripke Structure.	The International Scientific Conference "Information and Computer Technologies, Modelling, Control". Proceedings. 2015.	ISBN 978-991-20-575-0.	pp.545-547

ანოტაცია

ქსელური სტრუქტურებით წარმოდგენილი მონაცემებისთვის საჭიროა ასახული იყოს განვითარებული ასოციაციური თვისებები და შესაბამისად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს სხვადასხვა საძიებო ოპერაციების შესრულება, რათა გამოყენებული იყოს თანამედროვე, ეფექტური ძიების მექანიზმები. ერთ-ერთი ასეთი მექანიზმის, კერძოდ „ტალღური ძებნის“ მეთოდი გამოყენების შესაძლებლობებია განხილული მოცემულ სტატიაში კლასტერებისთვის. ფუნქციონალური ენებისთვის დამახასიათებელი მაღალი დონის ფუნქციები (ფუნქციონალები) იძლევა საშუალებას მოხდეს ალგორითმის გაპარალელება სხვადასხვა ბირთვზე, რაც მკვეთრად ზრდის ალგორითმის ეფექტურობას.

4	ლიანა ლორთქიფანიძე	ვექტორული სივრცის მოდელი და ქართულენოვანი ტექსტების დამუშავება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული	№19	თბილისი, 2015, “უნივერსალი”	4
5	გიორგი ჩიკოიძე, ნინო ამირეზაშვილი, ლიანა ლორთქიფანიძე,	ლექსიკური ფუნქციები - კომბინატორული ლექსიკონის მნიშვნელოვანი კომპონენტი	№19	თბილისი, 2015, “უნივერსალი”	7

	ლია სამსონაძე, ანა ჩუტკერაშვილი, ნინო ჯავაშვილი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული			

ანოტაციები

4. სტატია ეხება სიტყვათა ავტომატურ დაჯგუფებას მათი მნიშვნელობების მიხედვით. მეთოდი გამოიყენება საინფორმაციო ძიებისა და ტექსტების ავტორეფერირების დროს. ასევე აქტუალურია WordNet ლექსიკონის კონსტრუირების, დოკუმენტების ავტომატური კატალოგიზაციისა და სხვადასხვა ამოცანების გადაწყვეტისას, როცა საქმე ეხება დიდი რაოდენობის ტექსტური მასივების დამუშავებას. მოხსენებულია პრობლემის თეორიული საფუძვლები და შემოთავაზებულია კომპიუტერული ლინგვისტიკის თანამედროვე მეთოდი - ვექტორული წარმოდგენა სიტყვათა სემანტიკის მიხედვით. ნაშრომში აღწერილია სემანტიკური ვექტორების ფორმირების ძირითადი ეტაპები. განხილულია სიტყვათა სემანტიკური სიახლოვის ამსახველი მრავალგანზომილებიანი ვექტორის ფორმირების მეთოდი. მოყვანილია ვექტორული სივრცის განზოგადოებული მოდელების ზოგადი მიმოხილვა. ჩამოყალიბებულია ტექსტური ინფორმაციის დამუშავების ვექტორული მოდელის ალგორითმიზაციისა და პროგრამული მხარდაჭერის ზოგადი სქემა.

5. ნაშრომში წარმოდგენილია განმარტებით-კომბინატორული ლექსიკონის მნიშვნელობა ქართული ენისთვის. კომბინატორულ ლექსიკონში განსაზღვრულია: გრამატიკული მონაცემები, სალექსიკონო ერთეულის სემანტიკა, მისი გამოყენების არე (რა სიტყვებს ეხამება მოცემული სიტყვა, რა ლექსიკურ მიმართებაშია იგი სხვა სიტყვებთან), ანუ სიტყვისთვის შესაფერისი ბუნებრივი გარემო, რაც თავიდან აგვაცილებს მრავალ არასწორ გამონათქვამს. სიტყვის ბუნებრივი გარემოს შექმნა კი ხორციელდება ლექსიკური ფუნქციების მეშვეობით, რომელთაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია განმარტებით-კომბინატორულ ლექსიკონში. სტატიაში მოცემულია ქართული ენისთვის მორგებული ლექსიკური ფუნქციების ჩამონათვალი და ლექსიკური ფუნქციებით აღწერილი ორი სიტყვის ნიმუში.

2) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	Gia Sirbiladze, Irina Khutsishvili Koba Gelashvili Anna Sikharulidze	Temporalized Structure of Bodies of Evidence in the Multi-Criteria Decision-Making Model	Vol. 14, No. 03, pp. 565-596, 2015	World Scientific Publishing Company	32

		International Journal of Information Technology & Decision Making			

ანოტაცია

In this paper, we perform the analysis of temporalized structure of bodies of evidence to construct more precise decisions based on the mathematical model of experts' evaluations.

The relation of information precision is de¯ned on a monotone sequence of the bodies of evidence. For determining of a body of evidence the maximum principles of nonspecificity measure, the Shannon and Shapley entropies are applied. Corresponding mathematical programming problems are constructed. A new approach for the numerical solution of these problems is developed.

The temporalized structure of bodies of evidence is used for precising the decision in the well-known Kaufmann's theory of expertons. A measure of increase of decision precision is introduced, which takes into account all steps of temporalization.

The temporalized method of expertons is applied to the problem of decision risk management, where the investment fund expert commission provides evaluation of competition results. In our specially created decision-making model, the goal of the expert technology is to aggregate and refine subjective evaluations provided by the expert commission members. The model performs as an adviser that assists the expert commission in selecting of decision with a minimum risks. The results of developed method are then compared with other well-known methods and aggregation operators

2.	Irina Khutsishvili, Gia Sirbiladze and Gvantsa Tsulaia	Hesitant Fuzzy MADM Approach in Optimal Selection of Investment Projects Proceedings of the first Global Conference on Artificial Intelligence (GCAI 2015)	Volume 36, 151-162, 2015	EPiC Series in Computer Science http://easychair.org/publications/paper/Hesitant_Fuzzy_MADM_Approach_in_Optimal_Selection_of_Investment_Projects	12
3.	Irina Khutsishvili, Gia Sirbiladze and Bezhan Ghvaberidze	TOPSIS based Hesitant Fuzzy MADM for Optimal Investment Decisions. Proceedings of the 19th International Conference on Systems (part of CSCC '15)	Series:Recent Advances in Systems 52, 119-124, 2015	http://www.inase.org/library/2015/zakynthos/SYSTEMS.pdf	6

ანოტაციები

2. The work proposes a novel two-phase multiple-attributes decision making (MADM) approach for optimal selection of the investment projects. The methodology firstly makes ranking of projects based on TOPSIS (Technique for Order Preference by Similarity to Ideal Solution) method presented under hesitant fuzzy environment. The ranking of alternatives is made in accordance with the proximity of of their distance to the positive and negative ideal solutions. Secondly, the methodology allows making the most profitable investments in several of the projects simultaneously. An investment example is

presented to illustrate the application of the proposed approach.

3. The work proposes a novel MADM methodology for making Optimal Investment Decisions. The ranking of investment projects based on TOPSIS method presented under hesitant fuzzy environment. The case when the information on the attributes weights is completely unknown is considered. The attributes weights identification based on De Luca-Termini information entropy is offered in context of hesitant fuzzy sets. Secondly, using the method developed by authors for a possibilistic bicriteria optimization problem, the decision on an optimal distribution of the allocated investment amount among the selected hight quality projects is provided. An investment example is presented to explane the proposed approach.

4.	G.Berikelashvili, B.Midodashvili	On increasing the convergence rate of difference solution to the third boundary value problem of elasticity theory	Boundary Value Problems (in press, DOI: 10.1186/s13661-015-0492-4).		
5.	Г. Берикелашвили, Б. Мидодашвили	Согласованные оценки сходимости в методе уточнений разностями высших порядков. Дифференциальные уравнения. (In press)	ДИФФЕРЕНЦИАЛЬНЫЕ УРАВНЕНИЯ, 2015, том 51, № 1, с. 108–115		
6.	S. Kharibegashvili, B. Midodashvili	On the solvability of one nonlocal in time problem for semilinear multidimensional wave equations, Ukrainian Mathematical Journal.	*Ukrainian Math. J.* **67** (2015), No. 1, 82-105		

ანოტაციები

4. We consider the third boundary value problem of static elasticity theory (stiff contact problem) in a rectangle, for solution of which we use a difference scheme of second-order accuracy. Using this approximate solution, we correct the right-hand side of the difference scheme. It is shown that the solution of the corrected scheme is convergent at the rate $O(|h|^m)$ in the discrete L_2 -norm provided that the solution of the original problem belongs to the Sobolev space with exponent $m \in [2;4]$.

5. Рассматривается задача Дирихле для эллиптического уравнения с постоянными коэффициентами, которая решается разностной схемой второго порядка точности. Применением приближенного решения корректируется правая часть разностной схемы. Доказывается, что решение скорректированной схемы сходится со скоростью $O(|h|^m)$ в дискретной L_2 -норме, если решение исходной задачи принадлежит пространству Соболева с показателем $m \in [2,4]$.

6. One nonlocal in time problem for semilinear multidimensional wave equations is studied. The theorems on existence, uniqueness and nonexistence of solutions of this problem are proved.

7.	Арчвадзе Н.Н., Пховелишвили М.Г., Шецирули Л.Д.	Шаблоны для Haskell функций с бесконечными рекурсивными типами аргументов	System analysis and information technology: 17-th International conference SAIT 2015, Kyiv, Ukraine, June 22–25, 2015. Proceedings. – ESC “IASA” NTUU “KPI”, 2015. – 304 p.	ISBN 978-966-2748-68-0 (print) ISBN 978-966-2748-69-7 (ebook)		pp.222-225.

ანოტაცია

პროგრამირების ფუნქციონალურ პარადიგმაში მონაცემთა სტრუქტურის ასაგებად გამოყენებული მეთოდიკები საშუალებას იძლევა პარალელურად შეიქმნას განზოგადოებული ფორმები – ტიპიური ფუნქციის შაბლონები ამ სტრუქტურების დასამუშავებლად. ასეთი შაბლონების ზოგადი სახე რჩება უცვლელი, იცვლება მხოლოდ შინაარსი, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული ფუნქციასთან. ენა Haskell–ის სტანდარტულ მოდულში განსაზღვრულია ფუნქციის შაბლონები სიების დასამუშავებლად მხოლოდ კუდური რეკურსიის ტიპის ფუნქციებისთვის.

მოცემულ ნაშრომში განიხილება მონაცემთა უსასრულო სტრუქტურების შაბლონების აგება Haskell-ის მაგალითზე. მონაცემთა უსასრულო სტრუქტურები შეიძლება განისაზღვროს უსასრულო სიების ბაზაზე, ასევე შეიძლება გამოყენებული იყოს რეკურსიის შექანიზმი. მონაცემთა უსასრულო სტრუქტურების შექმნის მესამე საშუალება, რომელიც ჩვენი ინტერესის საგანია, მდგომარეობს უსასრულო ტიპების გამოყენებაში, რომელიც data ოპერატორით ხორციელდება. მაგალითისთვის განხილულია ორობითი ხის წარმოდგენის უსასრულო ტიპი და მასთან სამუშაოდ სამი სხვადასხვა სახის ფუნქცია, რომელთათვისაც შედგენილია განზოგადოებული ფორმები-ფუნქციათა შაბლობები.

8	Lortkipanidze L., Beridze M., Nadaraia D.	The Georgian Dialect Corpus: Problems and Prospects. "Historical Corpora. Challenges and Perspectives”.	Narr Francke Attempto Verlag GmbH & Co. KG editorial department Tillmann Bub Dischinger.	Weg 5, 72070 Tübingen, Jost Gippert / Ralf Gehrke (eds.) (= CLIP, Vol. 5), 2015	10
9	Lortkipanidze L., Beridze M., Nadaraia D.	Dialect Dictionaries with the Functions of Representativeness and Morphological Annotation in Georgian Dialect Corpus.	Theoretical Computer Science and General Issues. 10th International Tbilisi Symposium on Logic, Language, and Computation, TbiLLC 2013, Gudauri, Georgia,	Publisher: Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2015.	15

			September 23-27, 2013, Revised Selected Papers.		

ანოტაციები

8. ქართული დიალექტების კორპუსი მოიაზრება „დიდი ქართული კორპუსის“ სუბკორპუსად და გამიზნულია ფართო ინტერდისციპლინარული გამოყენებისათვის.

კორპუსში ინტეგრირებულია ქართული ენის ყველა დიალექტის ტექსტები (მათ შორის ირანის, თურქეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გავრცელებული დიალექტების მასალები), მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა ლაზური ტექსტური კოლექციის კორპუსული დამუშავებისთვის.

ჩვენი კონცეფციით კორპუსის ნახევრადავტომატური ანოტირებისას შეიძლება ეფექტურად იქნას გამოყენებული ლექსიკოგრაფიული ელემენტი და სალიტერატურო ენის მორფოლოგიური ანალიზატორი.

ლემატიზაციის პროცესი ჩვენს კორპუსში სალიტერატურო ფორმაზეა ორიენტირებუ-ლი – ხდება დიალექტური და სალიტერატურო ლემის ”გათანაბრება, გაიგივება”.

დიალექტური კორპუსის მორფოლოგიური ანოტირების კონცეფციაში მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება ქართული ენის მორფოლოგიური პროცესორის გამოყენებაზე – მისი დამატებითი „მორფოლოგიური ცოდნით“ აღჭურვაზე და შესაბამისად, დიალექტურ სიტყვაფორმათა ნახევრადავტომატური იდენტიფიკაციის (და ამის საფუძველზე – ლემატიზაციის, ზედაპირული და ღრმა ანოტირების) შესაძლებლობაზე.

მორფოლოგიური პროცესორის „ცოდნის ბაზის“ გაფართოება გულისხმობს პროდუქციული წესების სისტემაში ვარიაციული მორფემების დამატებას და მათი რეალიზაციის პოზიციების აღმწერი დამატებითი წესების შემოტანას.

ამ კონცეფციის უპირატესობა ის არის, რომ მორფოლოგიური პრიცესორის ცოდნის ბაზის გაფართოებისა და განვითარების პროცესში ყოველგვარი დამატებითი უნარ-ჩვევების შეძენის გარეშე შეიძლება ჩაერთონ პროფესიონალი ლინგვისტები, რომელთაც ლინგვისტური პრობლემებიდან გამომდინარე, თავად ექნებათ პროცესორისადმი კონკრეტული ამოცანის დასმისა და მათი გადაწყვეტის საშუალება.

9. ქართული დიალექტური კორპუსი (http://mygeorgia.ge/gdc) იქმნება როგორც ქართული ენის ტერიტორიული ვარიანტების კორპუსული დოკუმენტირებისა და კვლევის ინსტრუმენტი. ქართული დიალექტების ელექტრონული დოკუმენტირების პირველი ნაბიჯები იოსტ გიპერტის ხელმძღვანელობით განხორციელებული პროექტების [TITUS, ARMAZI] ფარგლებში გადაიდგა.

ქდკ-ს შექმნის სტრატეგია დაეყრდნო ერთი მხრივ საერთაშორისო კორპუსულ გამოცდილებას, მერე მხრივ კი – ქართული დიალექტოლოგიისა და დიალექტოგრაფიის ტრადიციებს. კორპუსის სტრუქტურირებისას მაქსიმალურად ვითვალისწინებდით ქართული ეროვნული ენობრივი და კულტურული სივრცის თავისებურებებს.

ლექსიკონები ქართული დიალექტების კორპუსში ორი – რეპრეზენტაციულობის უზრუნველყოფისა და მორფოლოგიური მარკირების – ფუნქციითაა გამოყენებული. მოხსენებაში საუბარია იმაზე, თუ როგორ არის ეს ფუნქციები პრაქტიკულად რეალიზებული.

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	კობა გელაშვილი, ირინა ხუციშვილი	მათემატიკური პროგრამირების ზოგიერთი ამოცანის მოდელირება და მათი ამოხსნა AMPL ინტერფეისით	Third Scientific Conference in Exact and Natural Sciences ENS-2015 2015 წლის 2 -7 თებერვალი

ანოტაცია

მათემატიკური დაპროგრამების ენის (A Mathematical Programming Language – AMPL) საშუალებით ამოხსნილია სიმეტრიული მატრიცული თამაში და ორკრიტერიუმიანი ბულის დაპროგრამების ამოცანა. სიახლე, პირველი ამოცანისთვის მდგომარეობს მოდელის შედგენაში - თამაში განიხილება როგორც უტოლობათა სისტემა. მეორე ამოცანაში - ორკრიტერიუმიანი ამოცანის დაყვანა სკალარული ოპტიმიზაციის ამოცანაზე.

AMPL -ის არჩევა განპირობებულია შემდეგი გარემოებებით. მრავალი კომერციული და ღია კოდიანი ოპტიმიზაციის პაკეტი (solver) მუშაობს AMPL ინტერფეისით. მათი საშუალებით ეფექტურად იხსნება ოპტიმიზაციის ყველა ტიპური ამოცანა. დაპროგრამება AMPL-ში ბევრად მარტივია სხვა ენებთან შედარებით. ბოლოს, AMPL საინტერესოა ჩვენთვის სასწავლო პროცესში მისი გამოყენების თვალსაზრისითაც

2	კობა გელაშვილი, ჯულიეტა გაგლოშვილი	AMPL Excel-ში SolverStudio-ს საშუალებით	Third Scientific Conference in Exact and Natural Sciences ENS-2015 2015 წლის 2 -7 თებერვალი

ანოტაცია

MS Excel - ში ჩაშენებული მოდული - Solver ელექტრონული ცხრილების მილიონობით მომხმარებელს ეხმარება ოპტიმიზაციის ამოცანების გადაწყვეტაში. ეს მოდული ასევე წარმატებით გამოიყენება ოპერაციათა კვლევის საბაზო კურსის სწავლების დროს. ამჟამად არსებობს ძალიან შთამბეჭდავი და ეფექტური საშუალება (plug-in) – SolverStudio, რომელსაც ირჩევენ დახვეწილი მომხმარებლები მოდელირების და სიმულაციების ამოცანების გადაწყვეტის დროს.

SolverStudio მომხმარებელს საშუალებას აძლევს, რომ მან უშუალოდ Excel -ში გამოიყენოს მოდელირების ისეთი ენები როგორიცაა AMPL, GAMS, PuLP, GMPL და Gurobi's Python. ამ შემთხვევაში, Excel-ში ინტეგრირება ქმნის დამატებით კომფორტს როდესაც გვაქვს დიდი ზომის ელექტრონული ცხრილები, და რადგან მონაცემების სიმულაცია აგრეთვე ადვილია. აღსანიშნავია, რომ SolverStudio-ში მომზადებული ამოცანი გადაჭრა შესაძლებელია როგორც desctop application, ასევე ოპტიმიზაციის ღრუბლოვანი (cloud) NEOS Server - ის გამოყენებით, რომელიც გვაძლევს ათეულობით საუკეთესო ოპტიმიზაციის Solver-თან წვდომას (მაგალითად) AMPL-ის ინტერფეისით. მოხსენებაში განხილულია რამდენიმე ტიპური ამოცანის გადაჭრის რამდენიმე ტიპური გზა, რომელსაც გვთავაზობს ზემოთ აღნიშნული plug-in. აგრეთვე, მათემატიკური პროგრამირების ენასთან (AMPL) დაკავშირებული რამდენიმე ტიპური საკითხი

(მნიშვნელობა, სტატუსი, გავრცელება და სხვა).			
3.	ირინა ხუციშვილი	MADM მიდგომა მერყევ ფაზი–გარემოში ოპტიმალური საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებაში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, http://conference.ens-2015.tsu.ge/ 2015 წლის 2 -7 თებერვალი
ანოტაცია მოხსენებაში წარმოდგენილია მრავალ–ატრიბუტული გადაწყვეტილების მიღების (MADM) მიდგომა საინვესტიციო პროექტების ოპტიმალური შერჩევისთვის. მეთოდოლოგია უზრუნველყოფს პროექტების რანჟირებას TOPSIS მეთოდის საფუძველზე მერყევ ფაზი გარემოში. მეთოდოლოგია ასევე საშუალებას იძლევა გაკეთდეს ყველაზე მომგებიანი ინვესტიციები რამდენიმე პროექტისთვის ერთდროულად. ისეთი ამოცანისთვის, როდესაც დაფინანსება უნდა გაუნაწილდეს რამდენიმე პროექტს, დგება საკითხი, თუ რომელი პროექტები უნდა დაფინანსდეს ისე, რომ საინვესტიციო ფონდმა მიიღოს მაქსიმალური მოგება მინიმალური რისკების გაწევის საფასურად. ეს ამოცანა გადაწყვეტილია დისკრეტული შესაძლებლობითი ორკრიტერიული ამოცანებისთვის განვითარებული მეთოდის საფუძველზე.			
4.	ბ. მიდოდაშვილი ლ. მიდოდაშვილი	მოდიფიცირებული გენეტიკური ალგორითმის გამოყენება ფინანსური პორტფელიოს ოპტიმიზაციის ამოცანაში	მერვე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “განათლება XXI საუკუნეში“, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, 13 - 14 ნოემბერი, 2015, გორი.
5.	G.Berikelashvili, B.Midodashvili	On Increasing the Convergence Rate of Difference Solution to the Third Boundary Value Problem of Elasticity Theory	VI Annual International Conference of the Georgian Mathematical Union, 2015, Batumi.

მოხსენებათა ანოტაციები

4. ნაშრომში განხილულია ფინანსური პორტფელიოს ოპტიმიზაციის პრობლემა, რომელის გადასაწყვეტად გამოყენებულია მოდიფიცირებული გენეტიკური ალგორითმი. C# ენაზე რეალიზებული პროგრამით წარმატებით განხორციელდა აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა კონკრეტული მონაცემებისათვის.

5. We consider the third boundary value problem of static elasticity theory (stiff contact problem) in a rectangle. Using the methodology of obtaining the consistent estimates it is proved that the solution of corrected difference scheme converges at the rate $O(h^m)$ in the discrete L_2 -norm, when the exact solution belongs to the Sobolev space W_2^m, $m \in (2,4]$.

6.	ნ.არჩვაძე	პარალელური პროგრამების ვერიფიკაციის საკითხები ფუნქციონალური ენებისთვის კრიპკეს სქემების გამოყენებით	აკადემიკოს ი. ფრანგიშვილის დაბადების 85-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია «საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები, მოდელირება, მართვა» თბილისი, 3 - 5 ნოემბერი, 2015, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
7.	ნ.არჩვაძე	მონაცემების სწრაფი ძიების ალგორითმების გამოყენება კლასტერებისთვის	მეოთხე სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია გლობალური ეკონომიკის ბიზნესის განვითარებაში. საქართველოს ბიზნეს აკადემია. თბილისი.

მოხსენებათა ანოტაცია

ამჟამად ძალზე მწვავედ დგას პრობლემა ისეთი პროგრამული კოდის დაწერისა, რომელიც შეიძლება პარალელურად შესრულდეს ერთი პროცესორის რამდენიმე ბირთვზე ან რამდენიმე კომპიუტერზე. იმ დროს, როცა მრავალბირთვიანი კომპიუტერები ყველასთვის ხელმისაწვდომია, ისეთი გამოყენებითი პროგრამის შექმნა, რომელიც ეფექტურად გამოიყენებს გამოთვლების რამდენიმე ნაკადს, რჩება ძალზე შრომატევად ამოცანად.

ფუნქციონალური დაპროგრამირება იძლევა საშუალებას არსებითად გამარტივდეს პარალელური დაპროგრამირება. ეს ხდება იმის გამო, რომ ფუნქციონალურ პროგრამაში არ არის მეხსიერების არეები, რომლებსაც ერთობლივად გამოიყენებს რამდენიმე ნაკადი. ამასთან, თითოეული ფუნქცია მუშაობს მხოლოდ მის შესასვლელზე მიღებულ მონაცემებთან. ყოველივე ამის მიუხედავად, გამოთვლების ეფექტური დაყოფის ამოცანა პარალელურ ნაკადებად, მაინც რჩება.

8.	ლორთქიფანიძე ლ.	ქართული კორპუსის სინტაქსური ტეგერი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. თბილისი,

			2015
9.	ლორთქიფანიძე ლ., ამირეზაშვილი ნ., სამსონაძე ლ., ჩუტკერაშვილი ა., ჯავაშვილი ნ.	ქართული ენის გრამატიკული ონლაინ ლექსიკონი	„არნოლდ ჩიქობავას საკითხავები XXVI". თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი. 2015
10.	ბერიძე მ., ლორთქიფანიძე ლ., ნადარაია დ.	ავტომატური და ნახევრადავტომატური მორფოლოგიური ანოტირების პრინციპისათვის ქართულ დიალექტურ კორპუსში	„არნოლდ ჩიქობავას საკითხავები XXVI". თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი. 2015
11.	მ. ბერიძე, ლ. ლორთქიფანიძე, დ. ნადარაია	ქართული დიალექტური კორპუსის მორფოლოგიური ანოტირების კონცეფციისათვის	თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის საერთაშორისო კონფერენცია ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები _ 2015. თბილისი. 2015
12.	ნ. ამირეზაშვილი, რ. ერემიანი, ლ. ლორთქიფანიძე, ლ. სამსონაძე, გ. ჩიკოიძე, ა. ჩუტკერაშვილი, ნ. ჯავაშვილი	ქართული ენის კომპიუტერული მოდელები	თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის საერთაშორისო კონფერენცია ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები _ 2015. თბილისი. 2015
13.	ნ. ამირეზაშვილი, ლ. ლორთქიფანიძე, ლ. სამსონაძე, ა. ჩუტკერაშვილი, ნ. ჯავაშვილი	ქართული ლიტერატურული კორპუსის სინტაქსური ანოტირება	მეთერთმეტე საერთაშორისო სიმპოზიუმის „ენა, ლოგიკა, გამოთვლები" (ILLC) თბილისი 2015
14.	ლ. ლორთქიფანიძე, ნ. ჯავაშვილი	WordNet თესაურუსის ტექნოლოგიის სტანდარტები	აკადემიკოს ი. ფრანგიშვილის დაბადების 85-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია «საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები, მოდელირება, მართვა». თბილისი. 2015
15.	ლ. ლორთქიფანიძე	ტექსტური ინფორმაციის დამუშავების ვექტორული სივრცის მოდელის ალგორითმიზაცია	აკადემიკოს ი. ფრანგიშვილის დაბადების 85-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია «საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები, მოდელირება, მართვა». თბილისი. 2015

მოხსენებათა ანოტაციები

8. მოხსენებაში განხილულია ქართული ენის კორპუსის ავტომატური სინტაქსური ტეგერი. ეს პროგრამა განკუთვნილია ქართულენოვანი ტექსტების ავტომატური სინტაქსური მონიშვნისთვის. მასში რეალიზებულია ქართული ენის მოდელის როგორც სინტაქსური, ისე მორფოლოგიური დონე.
პროგრამას შესავალში მიეწოდება ტექსტური კორპუსი. მომხმარებელი გამოსავალში ღებულობს წინადადებებად დაყოფილ ტექსტს, სადაც თითოეულ სიტყვაფორმას მიწერილი აქვს მისი ამოსავალი ფორმა, გრამატიკული და სინტაქსური მახასიათებლები. სიტყვაფორმის სინტაქსურ მახასიათებელს განაპირობებს ის მიმართებები, რომლებითაც სიტყვაფორმა დაკავშირებულია წინადადების სხვა წევრებთან. სინტაქსური აღწერისას ჩვენ ვიყენებთ უშუალო შემადგენლების ხის და სინტაქსური როლებრივი სტრუქტურების აღწერას.
ტექსტური კორპუსის სინტაქსური ანოტირების სისტემა შედგება რამდენიმე მოდულისაგან: გრაფომეტრული ანალიზატორი, მორფოლოგიური ანალიზატორი, GLSRSV ლექსიკონი, სავარაუდო სინტაქსური ხეების კონსტრუქტორი. მოხსენებაში განხილული იქნება ამ მოდულების ურთიერთკავშირის ალგორითმზე აგებული პროგრამის მუშაობის პრინციპები და წინადადების ავტომატური გარჩევის მაგალითები.

9. ენის სწავლების კომპიუტერული სისტემის აგების ამოსავალ პუნქტად ლექსიკონის კომპიუტერიზაციაა გამოყენებული. მიუხედავად იმისა, რომ ამოცანის გადასაჭრელად ჩვეულებრივი (“წიგნური”) ლექსიკონები ძალიან ფასეულია, მათ ორი სერიოზული ნაკლი გააჩნიათ: ინფორმაციის ნაკლებობა და “პასიურობა”. აღსანიშნავია, რომ ჩვეულებრივ ლექსიკონში ყოველი სალექსიკონო ერთეული მონიშნულია მისი პარადიგმის მხოლოდ ერთადერთი საწყისი სიტყვაფორმით (ლემით). რომლიდანაც, სრული პარადიგმის წარმოდგენა რთულია, განსაკუთრებით ქართული ენისთვის. განვითარებულმა ქვეყნებმა უკვე დიდი ხანია დაიწყეს გრამატიკულ ონლაინ ლექსიკონებზე მუშაობა და ისინი თითქმის ყველა საერთაშორისო ენისთვისაა რეალიზებული. ამ სახის სისტემები ძალიან პოპულარულია საზოგადოების ყველა ფენაში. ინტერნეტსივრცეში ბილინგვალური ლექსიკონების გვერდით უცხო ენების სწავლებად სისტემებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ენის კომპიუტერული სწავლებადი სისტემებისათვის გრამატიკული ლექსიკონი საბაზისო ელემენტს წარმოადგენს. ამჟამად მის შექმნაზე ბევრი ჯგუფი მუშაობს საქართველოშიც და საზღვარგარეთაც. მაგრამ დღესდღეობით ინტერნეტ სივრცეში არ გამოჩენილა არც ერთი პროდუქტი, რომელიც ძირეულად მოიცავდა ქართული ენის ლექსიკას და მის მორფოლოგიურ გენერატორს. ჩვენი პროდუქცია ქართული ენის შესასწავლი პირველი ინტერაქტიური ონლაინ-პროგრამა იქნება, რომელსაც შეეძლება ენის შემსწავლელს მიაწოდოს ფუნდამენტური ცოდნა ენის ლექსიკისა და სიტყვების გრამატიკული ვარიციების შესახებ.
ამჟამად იქმნება პროგრამული ინსტრუმენტების პაკეტი, რომელიც მომხმარებელს დაეხმარება განახორციელოს ქართული სიტყვაფორმის ანალიზი და სინთეზი ინტერნეტ-სივრცეში როგორც ფორმაწარმოების, ისე სიტყვაწარმოების დონეზე. ონლაინ ლექსიკონი ნებისმიერი სიტყვისთვის უზრუნველყოფს მისი შესაბამისი სალექსიკონო საბაზისო ლემის მოძებნას და შესაბამისი პარადიგმის ყველა წევრის გამონათებას.

სალექსიკონო ბაზაში უკვე შესულია 100.000 საწყისი სიტყვა და მათი ფორმაწარმოების ყველა წესი. ჩვენს მიერ შექმნილი, და არა ერთ ამოცანაზე აპრობირებული, GeoTrans სისტემა საშუალებას მოგვცემს დინამიურად გავზარდოთ ლექსიკონის საწყის სიტყვათა რაოდენობა ნებისმიერ მომენტში, თეორიულად უსასრულოდ. რასაც დიდი ყურადრება ექცევა

უცხოური ენების მსგავს სისტემებში.

10. ქართული დიალექტური კორპუსის შექმნის მიმდინარე ეტაპი გულისხმობს მორფოლოგიური ანოტირებისა და გრამატიკული ომონიმიის დაძლევის კონცეპტუალური და პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტას.
ქდკ-ს მორფოლოგიური ანალიზისთვის ჩვენ ვიყენებთ სისტემა „Geo trans“-ს, რომლის საშუალებითაც მუშავდება კორპუსის საერთო სიტყვანი. კორპუსის საერთო სიტყვანი მოიცავს ორ სხვადასხვა მონაცემს: ტექსტურსა და სალექსიკონოს. ტექსტური მონაცემი წარმოადგენს ყველა კონტექსტით წარმოდგენილ სიტყვაფორმას, ხოლო სალექსიკონო – ლექსიკონის მთავარ ფორმას (ლემას), მის ფონეტიკურ, გრამატიკულ და სიტყვაწარმოებით ვარიაციებს. შესაბამისად, მეორე ჯგუფის სიტყვანში წარმოდგენილ მასალას ახლავს გრამატიკული ინფორმაციაც: ლემა მონიშნულია პირველი იერარქიის მარკერით (გრამატიკული ჯგუფის მარკერი), გრამატიკულ და სიტყვაწარმოებით ვარიაციებზე კი მიწერილია როგორც მეტყველების ნაწილის აღმნიშვნელი, ისე პარადიგმის აღმწერი მარკერები, აგრეთვე თანდებულები, ნაწილაკები, სავრცობი ხმოვანი და ზოგჯერ სემანტიკური ჯგუფის ნიშნებიც.
მოხსენებაში აღწერილი იქნება მორფოლოგიური ანალიზის ტექნოლოგიური სისტემის თავისებურება, წარმოდგენილი იქნება პირველადი ავტომატური ანალიზის შედეგები, განხილული იქნება ავტომატურად ანოტირებული არაომონიმური და ომონიმური გრამატიკული მნიშვნელობის მქონე სიტყვათა სიების ტესტირებისა და კორპუსში (კონტექსტებში) მარკერთა საბოლოო მინიჭების პროცესი. უნდა აღინიშნოს, რომ სავარაუდოდ, პირველადი ავტომატური ანალიზის შედეგად მთელი კორპუსული ტექსტური მასალის დაახლოებით 20- 30%-ის ანოტირებაა შესაძლებელი. ამჟამად მიმდინარეობს ხუთი დიალექტისთვის ამ ეტაპზე შესრულებული ანალიზის ტესტირება, ომონიმიის ხელით მოხსნა და კონტექსტებში სწორი ანალიზის შედეგების ავტომატურად ასახვა.

11. ნახევრადავტომატური ლექსიკონების შექმნა გულისხმობს: არსებული ბეჭდური ლექსიკონების ელექტრონული ვერსიის შექმნას, უნიფიცირებას, მეთაური სიტყვისთვის – ლემისთვის პირველადი გრამატიკული ინფორმაციის (გრამატიკული ჯგუფის მარკერების) მიწერას. ასევე, ლექსიკონის სხვადასხვა სტრუქტურულ ველში (განმარტება, ილუსტრაცია, შენიშვნა...) დადასტურებული ფონეტიკური, გრამატიკული ან სიტყვაწარმოებითი ვარიაციების ლემასთან ”მიბმას” და მათთვის როგორც გრამატიკული, ისე პარადიგმული მახასიათებლების მიწერას. ამგვარად ”აღჭურვილი” ლექსიკონი გამოიყენება ტექსტური სიტყვანის გარკვეული (ლექსიკონში ასახული) ნაწილის იდენტიფიცირებისა და მარკირებისათვის GeoTrans-ის მეშვეობით (ბერიძე, ლორთქიფანიძე, ნადარაია 2015-1, 2015-2, 2014).
მორფოლოგიური ანალიზისთვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს სისტემა GeoTrans-ი, რომლის საშუალებითაც იდენტიფიცირებული და გაანალიზებულია დიალექტური ტექსტების ის ნაწილი, რომელიც სალიტერატურო ენობრივ ინვენტართან საერთო ლექსიკურ და ფორმაწარმოებით ენობრივ მასალას მოიცავს (ამოცნობის დიაპაზონი სხვადასხვა დიალექტში მერყეობს 20% – 45% მდე).
ანოტირების პროცესის ეფექტურობის გასაზრდელად მივმართეთ მაღალი სიხშირის სიტყვების ანალიზის ექსპერიმენტს: გამოიყო და ცალკე დამუშავდა 1000-ზე მეტ კონტექსტში რეალიზებული სიტყვების სია. გამოვლინდა 140 ყველაზე ხშირად რეალიზებული სიტყვაფორმა. ამ სიტყვები 500 000-მდე კონტექსტშია დამოწმებული. ამათგან თითქმის ნახევარი არაომონიმურია და ავტომატურად შეიძლება მოინიშნოს და ადიწეროს ყველა დიალექტში ან დიალექტთა ნაწილში. ასეთი ავტომატური ოპერაციის შედეგად 200

000-მდე კონტექსტი ავტომატურად ანოტირდა კორპუსში.

12. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტში ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევები ბუნებრივი ენის ავტომატური დამუშავების მიმართულებით გასული საუკუნის 50–იანი წლებიდან მიმდინარეობს. ენობრივი და სამეტყველო სისტემების განყოფილებაში წლების განმავლობაში მუშავდებოდა ენის მოდელირების ფუნდამენტური საკითხები და დღესაც საინტერესო კვლევები ხორციელდება კომპიუტერული ლინგვისტიკის დარგში.
განყოფილებაში შეიქმნა ენობრივი ალგორითმების წარმოდგენის ისეთი საშუალება, რომელიც, ერთი მხრივ, ასახავს ენობრივი სისტემის ფუნქციონირების ფუნდამენტურ თვისებებს (ორმიმართულებიანობა და პარალელურობა), მეორეს მხრივ, ხელსაყრელია კომპიუტერული რეალიზაციისათვის. დამუშავდა ქსელური მეთოდი, რომლის საშუალებით შესაძლებელია ორმიმართულებიანი (ანალიზი/სინთეზი) ერთობლივი პროცესორის ფორმულირება. ქსელური მეთოდი ნათლად და მარტივად წარმოადგენს ალგორითმის სტრუქტურას, დასაშვებს ხდის მრავალდონიანი, ანუ პარალელურად მოქმედი სისტემების აგებას, ქსელის ყოველმა რკალმა შეიძლება ასახოს ენის ფუნდამენტური ნიშნური ხასიათი და ა.შ. ყველაზე გამოსადეგად კომპიუტერის და ენის სტრუქტურებს შორის არსებული წინააღმდეგობის გადასალახავად ქსელური მიდგომაა მიჩნეული [გ. ჩიკოიძე 2004].
განყოფილებაში რეალიზებულია და ამჟამად ნაყოფიერად გამოიყენება შემდეგი პროგრამული პროდუქტები: ქართული ენის კომპიუტერული სუფლიორი უნარდაქვეითებულ პირთათვის (Prophet_Geo); თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიური ლექსიკონი თანდართული პროცესორით: GeoTrans; ენის მორფოლოგიის მულტიენობრივი კომპაილერი: MuMoCom; კონკორდანსების შედგენის ნახევრად ავტომატური სისტემა: MultiLingConc; მულტიენობრივი ლექსიკური მთარგმნელის კომპაილერი: MuLexTranCom. მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ამ კომპიუტერული პროდუქტების შემუშავების და გამოყენების საკითხები.

13. ქართული ენის თეორიული და გამოყენებითი ამოცანების გადასაჭრელად მნიშვნელოვანია ღრმად ანოტირებული ტექსტური კორპუსი. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის ენისა და მეტყველების სისტემების განყოფილებაში მუშავდება ქართული ლიტერატურული ტექსტების მორფოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური მონიშვნა. კორპუსის საპილოტე ვერსიაში შესულია ერთი მწერლის, მე-20 საუკუნის გამოჩენილი ქართველი პროზაიკოსის, ოთარ ჭილაძის ყველა რომანი.
მოცემული მომენტისთვის ჩატარებულია კორპუსის ტოკენიზაცია და მორფოლოგიური ანალიზი. კორპუსში გამოიყო 655,811 სიტყვაფორმა და 97,155 სიტყვახმარება. ნაწილობრივ მოხსნილია მორფოლოგიური ომონიმია. ამჟამად მიმდინარეობს კორპუსის სინტაქსური ანოტირება.
მოხსენებაში წარმოგიდგენთ ქართული ენის ავტომატურ სინტაქსურ ანალიზატორს. ეს სისტემა განკუთვნილია ქართულენოვანი ტექსტების ავტომატური სინტაქსური მონიშვნისთვის. მასში რეალიზებულია ქართული ენის მოდელის როგორც სინტაქსური, ისე მორფოლოგიური დონე.

14. სტატიაში აღწერილია ქართული WordNet თესაურუსის — GeWordNet-ის შემუშავების მეთოდიკა. ახსნილია განსხვავება ტრადიციული ლექსიკონებისა და თესაურუსებისა WordNet თესაურუსთან შედარებით. ჩამოთვლილია ძირითადი პრინციპები, რომლებიც იყო გამოყენებული პრინსტონის WordNet თესაურუსში. განხილულია ენის სისტემის შესახებ

ინფორმაციის წარმოსადგენად აუცილებელი ლინგვისტური წყაროების ჯგუფები. დახასიათებულია WordNet-თესაურუსების შემუშავების სტანდარტები: მნიშვნელობათა ანალიზის დეფინიციური, კონტექსტური და სიტყვაწარმოებითი მეთოდები. აღწერილია თესაურუსში გამოყენებული სემანტიკური, პარადიგმატიკული და სინტაგმატიკური კავშირების სახეები.

15. მოცემულ ნაშრომში აღწერილია სემანტიკური ვექტორების ფორმირების ძირითადი ეტაპები. განხილულია სიტყვათა სემანტიკური სიახლოვის ამსახველი მრავალგანზომილებიანი ვექტორის ფორმირების მეთოდი. მოყვანილია ვექტორული სივრცის განზოგადოებული მოდელების ზოგადი მიმოხილვა. ჩამოყალიბებულია ტექსტური ინფორმაციის დამუშავების ვექტორული მოდელის ალგორითმიზაციისა და პროგრამული მხარდაჭერის ზოგადი სქემა.

2) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Irina Khutsishvili, Gia Sirbiladze and Bezhan Ghvaberidze	TOPSIS based Hesitant Fuzzy MADM for Optimal Investment Decisions	The 19th International Conference on Systems (part of CSCC '15), Recent Advances in Systems, Zakynthos Island, Greece, July 16-20, 2015
2	Irina Khutsishvili, Gia Sirbiladze and Gvantsa Tsulaia	Hesitant Fuzzy MADM Approach in Optimal Selection of Investment Projects	The first Global Conference on Artificial Intelligence (GCAI 2015), Tbilisi, Georgia, October 16-19, 2015

ანოტაცია

განიხილება მრავალ–ატრიბუტული გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგია დაფუძნებული TOPSIS მიდგომაზე მერყევ ფაზი–გარემოში. ატრიბუტების უცნობი წონების შემთხვევაში მათი შეფასება განხორციელებულია მერყევი ფაზი–სიმრავლისთვის განზოგადებული დელუკა–ტერმინის ენტროპიის გამოყენებით. TOPSIS მეთოდის ალგორითმში გათვალისწინებულია ორივე სახის – როგორც სარგებელი (benefit), ისე უსარგებლო (cost) ატრიბუტები.

TOPSIS მეთოდში ალტერნატივების რანჟირება კეთდება დადებით იდეალურ (positive ideal solution) და უარყოფით იდეალურ (negative ideal solution) გადაწყვეტილებებთან მანძილის სიახლოვის მიხედვით. ამ მიზნით გამოყენებულ იქნა ნორმალიზებული ჰემინგის მანძილი მერყევი სიმრავლეების კონტექსტში.

შექმნილი მეთოდოლოგია ასევე საშუალებას იძლევა გაკეთდეს ყველაზე მომგებიანი ინვესტიციები რამდენიმე პროექტისთვის ერთდროულად. ეს ამოცანა გადაწყვეტილია დისკრეტული შესაძლებლობითი ორკრიტერიული ამოცანებისთვის ავტორების მიერ განვითარებული მეთოდის საფუძველზე.

შემოთავაზებული მეთოდოლოგიის ილუსტრირების მიზნით განიხილება საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების მაგალითი.

3	Irina Khutsishvili,	Case Based Reasoning approach for prediction	The First SDSU – Georgia STEM WORKSHOP

	Gia Sirbiladze (poster)	of the possibility of earthquake occurrence	on Nanotechnology and Environmental Sciences, Tbilisi, Georgia, September 4-5, 2015

ანოტაცია

პოსტერის სახით წარმოდგენილია ე.წ. პრეცედენტებზე დაფუძნებული მსჯელობის მეთოდი (Case Based Reasoning - CBR), რომლის იდეა შემდეგია: იმისათვის, რომ მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება ან გაკეთდეს ახალი პროგნოზი, ეძებენ წარსულში ახალი სიტუაციის ანალოგებს (აფასებენ როგორც შემთხვევების აქტივობების მსგავსებას, ისე ახალი და ცნობილი შემთხვევების მსგავსებას) და ახალ გადაწყვეტილებად ირჩევენ ყველაზე "ახლო" პრეცედენტისათვის დამახასიათებელ გადაწყვეტილებას.

CBR მეთოდი გამოიყენება პროგნოზირების კონკრეტული პრობლემისთვის - მიწისძვრის შესაძლებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ატმოსფეროს გეოფიზიკური აქტივობების მონაცემთა მიხედვით.

CBR მეთოდის "კლასიკური" ვარიანტი ადაპტირებულია ამოცანის შესაბამისად. შემოღებულია *ორი შემთხვევის ორ i-ურ აქტივობას შორის* და *ორ შემთხვევას შორის* მსგავსების ზომები.

საწყის მონაცემებად აღებულია საქართველოს დუშეთის რეგიონის სტატისტიკური მონაცემები, მიღებული სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრიდან.

მეთოდის ეფექტურობა შემოწმდა ოთხმოცი შემთხვევისთვის, როდესაც მიწისძვრა არ აღინიშნებოდა და ოცი შემთხვევით შერჩეული მიწისძვრისათვის. პროგნოზი გამართლდა დაახლოებით 70% შემთხვევაში, რაც შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებელ შედეგად, მითუმეტეს რომ ატმოსფეროს გეოფიზიკური აქტივობები არ წარმოადგენენ მიწისძვრის მთავარ წინამორბედებს.

4	ნ.არჩვაძე	უსასრულო რეკურსიული ტიპის არგუმენტების მქონე Haskell ფუნქციების შაბლონები	„სისტემური ანალიზი და საინფორმაციო ტექნოლოგიები", კიევი, უკრაინა, 22-25 ივნისი.

ანოტაცია

განისაზღვრა ფუნქციონალური ენების Lisp-ის და Haskell-ის შაბლონები რეკურსიული ფუნქციებისთვის, რომლებიც წარმოდგება კუდური რეკურსიის, სიის თავზე რეკურსიითა და დამგროვებელი, იგივე აკუმულირებადი პარამეტრებით. გარდა ჩამოთვლილისა, განისაზღვრა უსასრულო რეკურსიული ტიპის არგუმენტების მქონე Haskell ფუნქციების განსაზღვრებების აგების პრინციპები. ამისთვის გამოიყენება როგორც უსასრულო ტიპების განსაზღვრის საშუალებები, ასევე ე.წ ალგებრული ტიპების განსაზღვრა, რომელთა მახასიათებელია იასეთ ტიპებზე შეიძლება განისაზღვროს ალგებრა.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი

	მიმართულების მითითებით			გრანტი, უცხოური გრანტი)
1	გაუმჯობესებული ფუნქციონალობისა და ეფექტურობის მქონე ასოცირებული დახარისხებული კონტეინერის შემუშავება	კობა გელაშვილი	ნიკოლოზ გრძელიძე, გიგა ჩალაური, ვახტანგ ლალუაშვილი	თსუ

1. შემუშავებულია ძებნის დალაგებული ორობითი ხის გადაბალანსების ახალი ალგორითმი და იგი გავრცელებულია წითე-შვ ხეებზე. რიცხვითი ექსპერიმენტები აჩვენებს, რომ იგი ტესტების ძირითად ნაწილზე უფრო ეფექტურია, ვიდრე ამჟამად გამოყენებად სეჯვიკის და DSW ალგორითმები. შედეგების გაფორმება მიმდინარეობს მისი დაბეჭდვის მიზნით.

2. შემუშავებულია მეჩხერი (sparse) მატრიცების შენახვის ახალი ფორმატი. მისი ეფექტურობა შემოწმებულია მეჩხერი მონაცემების მქონე კვადრატული ფორმის მინიმიზაციის ამოცანაში, შეუღლებული გრადიენტების მეთოდით. ამ მიზნით, სხვადასხვა ფორმატი ენცვლება ერთმანეთს 70 სხვადასხვა ზომის მეჩხერი მარტიცის შენახვისთვის. ახალი ფორმატის ეფექტურობა ეჭვს არ იწვევს. შედეგების გაფორმება მიმდინარეობს მისი დაბეჭდვის მიზნით.

ტექნიკური ინფორმატიკის კათედრა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **მანანა ხაჩიძე**

კათედრის შემადგენლობა: პროფესორი - მანანა ხაჩიძე, ასოც. პროფ. მაგდა ცინცაძე, ასოც. პროფ. ლელა მირცხულავა, ასისტ. პროფ. მაია არჩუაძე, ასისტ. პროფ. პაპუნა ქარჩავა, ასისტ. პროფ. ზურაბ მოდებაძე

I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	**ინფორმაციის ძებნის ადაპტური ალგორითმის შემუშავება** (2014-2016 წწ)	მანანა ხაჩიძე	მაია არჩუაძე, გელა ბესიაშვილი, მაგდა ცინცაძე, პაპუნა ქარჩავა
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
	სამუშაო წარმოადგენს 2014 წელის კვლევების გაგრძელებას გაგრძელებას, რომელიც წარმოდგენილი იყო სათაურიათ „**ინფორმაციის ძებნის ადაპტური ალგორითმის შემუშავება“.** კვლევის მიზანია შეიქმნას ალგორითმი, რომელიც საფუძვლად დაედება სემანტიკური ძებნის „ძრავის“ შექმნას, ზოგადად სემანტიკური ძებნის სისტემებისათვის და მოხდება მისი საცდელი რეალიზება ქართულენოვანი საძიებო სისტემის შექმნისათვის. ამ მიზნის მისაღწევად ეტაპების მიხედვით დაგეგმილი იყო შემდეგი სამუშაოები: I ეტაპი - 2014-2015 წწ. ქართულენოვანი საძიებო სისტემის მაკეტის შემუშავება. აღნიშნული ამოცანის გადასაჭრელად 2014 წელს შეირჩა და დამუშავდა არსებული მეთოდები და ალგორითმები. 2015 წელს მოხდა შერჩეული ალგორითმების შეჯერება და მათი პროგრამული რელიზება. დამუშავდა სტემინგისა და ლემატიზაციის ალგორითმები ქართული ენისათვის. სახელდობრ, შემუშავდა სიტყვის ფუძის ამოღების ალგორითმები ქართული ენისათვის. მოხდა ალგორითმის პროგრამული რეალიზაცია. ალგორითმის ტესტირების მიზნით შეიქმნა ქართულენოვანი ტექსტების კოლექცია. კოლექცია წარმოდგება მონაცემთა ბაზის სახით. მოძიებულ და დამუშავებულ იქნა ტექსტების კლასიფიცირების ცნობილი ალგორითმები. მოხდა ამ ალგორითმების ადაპტირება ქართული ენისათვის. ასევე დამუშავდა ახალი ალგორითმი. ამ ალგორითმების პროგრამული რეალიზაციის შემდეგ შემუშავდა ცოდნის ბაზა. ბაზის შესაქმნელად გამოყენებულია ტექსტების კოლექციის ნაწილი. დამუშავებული და პროგრამულად რეალიზებული ალგოტრითმები წარმოადგენენ		

	ქართულენოვანი საძიებო სისტემის მაკეტის ძირითად კომპონენტებს. ამჟამად მიმდინარეობს პროგრამული რეალიზაციების გაერთიანება ერთ სისტემად. პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა ტექსტების ბაზის გამდიდრებაზე. (კვლევები მიმდინარეობს პერსონალის შრომითი ხელშეკრულების ფარგლებში. კვლევას ცალკე სახელმწიფო დაფინანსება არ გააჩნია.)		
	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
2	**დამაბინძურებელი აგენტების გამომვლენი ნანოსენსორული სისტემების დაგეგმვა და მათი მართვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ქვანტური მეთოდებით** (2014-2017)	მანანა ხაჩიძე	მაია არჩუაძე, გელა ბესიაშვილი, მაგდა ცინცაძე, პაპუნა ქარჩავა
	დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)		
	კვლევითი სამუშაო წარმოადგენს 2013 წელის კვლევების გაგრძელებას, რომელიც წარმოდგენილი იყო სატაურიატ „ქვანტური მოდელების გამოყენება დიდი სისტემების მოდელირებაში“. სამუშაოს მიზანია შემუშავდეს ფუნდამენტური მიდგომები ნანოსენსორული სისტემების მართვის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. პროექტში დასმული ამოცანის სრული გადაჭრა ურთირთდაკავშირებული ქვეამოცანებზე დაიყვანება შემდეგ ეტაპებად: I ეტაპი - 2014 – 2015 წწ. ნანოსენსორული სისტემაში შემავალი ნანოსენსორების ტიპების და მახასიათებლების განსაზღვრის მეთოდის შემუშავება სისტემის ფუნქციონალრი დანიშნულების შესაბამისად. 2014 წლელს მიღებული შედეგების საფუძველზე შემუშავდა მეთოდი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნა კონკრეტული გარემოსათვის შეირჩეს ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული აგენტების გამომვლენი ნანოსენსორების ნაკრები მოსალოდნელი საფრთხის გვარობის გათვალისწინებით. ნაკრებში ნანოსენსორების შერჩევა ეფუძნება მათი ფიზიკური-ქიმიური რაოდენობრივი მახასიათებლების დიაპაზონების ანალიზს და მათ განზოგადოებულ აღწერას კონცეპტების სახით. მოძიებული მონაცემების საფუძველზე შეიქმნა დაბინძურების სხვადასხვა ტიპის დონის აღმწერი კონცეპტების ბაზა. II ეტაპი - 2015 – 2016 წწ. მოძიებულ და გაანალიზებულ იქნა ნანოსენსორული სისტმების მიერ გამომუშაებული სიგალებიდან მონაცემების ამოკრეფის, მათი სიზუსტის და საიმედობის		

	უზრუნველყოის მეთოდები. მიმდინარეობს ამ მეთოდების ანალიზი და ოპტიმალური შეჯერება სხვადასხვა გარემოს გათვალისწინებით. შერჩეული მეთოდები განსაზღვრავენ მონაცემთა ბაზის სტრუქტურულ მოდელს, რას თავისმხრივ მისი უსაფრთხოების, გადაცემის, დამუშავების მეთოდების განმსაზღვრელი იქნება. დაგეგმილი იყო ამ კვლევების შედეგების გამოყენება ევრო კომისიის კვლევით პროექტში "Reduction Of Greenhouse Gas Emissions, Multi-Hazard Planning And Patterns For Adaptation To Climate Change", Horizon 2010-ის ფარგლებში, რომელიც სამწუხაროდ არ დაფინანსდა. ამჟამად მიმდინარეობს პარტნიორებთან მუშაობა ანალოგიური შინაარსის პროექტის წარდგენაზე.. (კვლევები მიმდინარეობს პერსონალის შრომითი ხელშეკრულების ფარგლებში. კვლევას ცალკე სახელმწიფო დაფინანსება არ გააჩნია.)

II. 2. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Magda Tsintsadze, Manana Khachidze, Maia Archuadze	**SOAP and REST Web Services** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ა.ელიაშვილის სახ. მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული	# 19, 2015	6
ნაშრომში მოყვანილია ვებ სერვისების გავრცელებული განმარტებები თანამედროვე მიდგომების გათვალიწინებით. WS -ის მოკლე ისტორიის მიმოხილვის შემდგომ საბარია სერვისების უპირატესობებსა და გამოწვევებზე მათი იმპლემენტაციის ეტაპზე. ნაშრომი ეხება ვებ სერვისების არქიტექტურასა და სიცოცხლის ციკლს. განიხილება ვების ორი ძირითადი სტანდარტი SOAP და REST ვებ სერვისები აღმწერ ენასთან (WSDL) ერთად. ნაშრომის სტრუქტურა ასეთია: ვებ სერვისების ფართოდ გავრცელებული განმარტების შემდგომ მათი მოკლე ისტორია მოცემულია თავი 1-ში, თავი 2 შეეხება ვებ სერვისების გამოწვევებსა და უპირატესობებს, ვებ სერვისების არქიტექტურა და მათი იმპლემენტაციის საკითხება აღწერილია თავი 3-ში, ორი ძირითადი სტანდარტი SOAP და REST განიხილება თავი 4-ში და WSDL-ის კონკრეტული მაგალითი მოცემულია თავი 5-ში. ნაშრომი დასრულებულია შესაბამისი ბიბლიოგრაფიით.				
2	**ღრუბლოვანი გამოთვლების უსაფრთხოება**	**ღრუბლოვანი გამოთვლების უსაფრთხოება** საქართველოს ტექნიკური	# 19, 2015	თბილისი	5

		უნივერსიტეტის ა.ელიაშვილის სახ. მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული			
მიმდინარე სტატიაში მიმოხილულია ღრუბლოვანი ტექნოლოგიები. გაანალი-ზებულია ამ ტექნოლოგიებისთვის უსაფრთხოების საკითხები და მათი გადაწყვეტის ძირითადი მეთოდები, რომლებიც შესაძლებელია დაინერგოს ღრუბლოვან გამოთვლებში. მოყვანილია რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია უსაფრ-თხოების ამაღლების მიზნით.					

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Manana Khachidze, Magda Tsintsadze, Maia Archuadze, Gela Besiashvili	Concept Pattern Based Text Classification System Development for Georgian Text Based Information Retrieval. Baltic J. Modern Computing	Vol. 3 (2015), No. 4, pp. 307–317	ლიტვა	11
Presented work outlines the text classification system developed with appropriate four main modules and the algorithm of the text classification for the Georgian Language. The Heuristic Analysis is used to develop the concept-pattern describing appropriate class in a document collection and a new algorithm was developed and applied to get the set of term classes for every detected stem. The TF-IDF (Term Frequency-Inverse Document Frequency) scheme for term weight calculation is performed. The novelty of the method is that one generalized concept is created on the basis of each category of the documents sourcing the whole database. The generalized concept contains all high weight terms along with the terms not to be presented in the definition of the concept, so the concept contains information what terms are efficient for the class and what terms ”should not” be present (not to contain the defined term is a characteristics itself). The generalized concept pattern, based on the above mentioned scheme, is compared to the patterns (high weight term set) formed for each document. The system was tested on Georgian text based on 900 documents collected from 6 categories (classes - 150 documents in each). Using the generalized concept formation method the accuracy was increased by 11% and recall by 10 %, compared to k-Nearest Neighbors algorithm (KNN). On the basis of the received results we may conclude that the patterns constructed with the help of Analytical Heuristics method used for retrieval is quite promising and future modifications for better results are possible.				
2	Paata J. Kervalishvili, Manana G. Khachidze, Archil A. Chirakadze. Ebook -:	Novel Achievements in Information Science and Technology as basis of Secure Society Sustainable	Volume 120. 2015 DOI10.3233/978-1-61499-493-0-27	Netherlands	12

	Engaging the Public to Fight the Consequences of Terrorism and Disasters .	Development. NATO Science for Peace and Security Series - E: Human and Societal Dynamics.			
Last achievements in information science and technology illuminated some important approaches and ways to increase the human security through different scientific methods and technology innovations. Elaboration of new information systems including nanosensory instruments and quantum sensory devices create the unique possibilities to develop new methods and tools for organization of sensory networks which could measure the very different properties and parameters of human living and working environment. Novel information technologies as well as novel management and control systems are the basis of development of so called smart infrastructure which decrease the natural and technological risks for sustainable maintenance of safety and security of the civil society					

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**მ.ხაჩიძე, მ.არჩუაძე, გ.ბესიაშვილი, მ.ცინცაძე**	The Georgian Semantic Search Engine Development – Complexity and Decision	VII საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია "ინტერნეტი და საზოგადოება". 10-11 ივლისი 2015 ქუთაისი, საქართველო
ნაშრომში განხილულია გართულენოვანი სემანტიკური ძებნის „ძრავის“ ალგორითმის შეიქმნის სირთულეები. აღწერილია კვლევის წარმოებისათვის აუცილებელი სამუშაოებები: ფართო მოხმარების ქართული ენის საერთო კორპუსის შექმნა/შევსების ონლინ სისტემის შექმნა. კორპუსი იქნება ცოდნის ბაზის ძირითადი წყარო ქართულენოვანი საძიებო სისტემისათვის. უნდა შემუშავდეს არსატრუქტურირებული დოკუმენტების დაჭდევების ახალი მეთოდი - ამისათვის ანალიტიკური ევრისტიკების მეთოდის გამოყენებით შეიქმნება ცნების (კონცეპტების) „პატერნების“ ცოდნის ბაზა. ინდექსირების ეს მეთოდი საშუალებას მოგვცემს ინტერნეტში განთავსებული არა SWD-დოკუმენტები წარმოვადგინოთ „ფსევდო-SWD-დოკუმენტების“ სახით. რაც საშუალებას მოგვცემს SWSS-ზე მცირე „ძრავის“ დამატებით გამოვიყენოთ ისინი ნებისმიერი სახით წარმოდგენილი ინტერნეტ დოკუმენტებისთვისაც. ეს საშუალებას მოგვცემს დამუშავდეს ცნების „პატერნების“ დარგობრივ ონტოლოგიებზე დაფუძნებული სემანტიკური ძებნის „ძრავის“ ალგორითმი. საუკეთესო საძიებო სისტემა მომავალში იქნება ის რომელიც შეძლებს ძიების სხვადასხვა ტექნოლოგიებიდან სემანტიკურ Web-ზე ორიენტირებული საუკეთესო თვისებების კომბინირებას. ამ ამოცანის გადაჭრისათვის ბუნებრივი ენის კორპუსზე დამყარებული სემატიკური საძიებო სისტემები უალტერნატივო პერსპექტივაა.			
2	**M.Cincadze, M.Khachidze, M. Archuadze**	**On Web Services**	- The International Scientific Conference Dedicated to Academician L.Prangishvili 85th Anniversary “Information and Computer Technologies,

			Modeling, Control", Tbilisi, 3-5 November, 2015 . Proceedings, pp. 146-150
Nowadays Web Services are inseparable part of the modern Web. It takes the development of www to the next stage. In the presented work we will discuss the role of WS, benefits and challenges associated with their implementation. Address the issues of WS architecture, speak about two main WS standards and give an overview of WS security. The paper is organized as follows: after common definition of Web services the brief history of WS is provided. Chapter 2 address WS benefits and challenges associated with their implementation, the issues of Web Services architecture along with their development lifecycle is given in chapter 3. Two main standards SOAP and REST are discussed in chapter 4 and ways of securing web services are suggested in chapter 5. The paper concludes appropriate bibliography.			
6	**მ.ხაჩიძე, მ.არჩუაძე, გ.ბესიაშვილი, მ.ცინცაძე**	Pollutants Revealing Nano-sensor Systems Planning using Environmental Assessment Concepts	The First SDSU – Georgia STEM WORKSHOP on Nanotechnology and Environmental Sciences. თბილისი, 2015, სექტემბერი
ნანოტექნოლოგიის შემცველი სენსორები ახალ შესაძლებლობებს წარმოაჩენენ ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური ზონდირების პროცესში, ისეთი ფართო სპექტრის მქონე მოწყობილობისათვის, რომლებიც გამოიყენება ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაბინძურების შეფასებისა სფეროში. ნანოტექნოლოგიების გამოყენების დიდი პოტენციალი გააჩნიათ არაძვირი პორტარტული მოწყობილობების შექმნაში, რომლებიც შესძლებენ ბილოგიური და ქიმიური ნივთირებების სწრაფ აღმოჩენას, იდენტიფიცირებას და რაოდენობრივ განსაზღვრაც. ნანოსენსორების სიიაფე და პროტატულობა საშუალებას იძლევა შეიქმნას სხვადასხვაგვარი ნანოსენსორებისაგან შემდგარი კომპლექსური სისტემა, რომელის მორგებაც შესაძლებელი იქნება კონკრეტული „გარემოსათვის", ამ „გარემოს" პოტენციური რისკების გვარობის გათვალისწინებით. შესაძლებელია შემუშავდეს მეთოდი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება კონკრეტული გარემოსათვის შეირჩეს ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული აგენტების გამომვლენი ნანოსენსორების ნაკრები მოსალოდნელი საფრთხის გვარობის გათვალისწინებული. ნაკრებში ნანოსენსორების შერჩევა მოხდება მათი ფიზიკური-ქიმიური მახასიათებლების გათვალისწინებით. ასევე გათვალისწინებული იქნება მოსალოდნელი საფრთხის დონე.			

თეორიული ინფორმატიკის კათედრა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფ. **ალექსანდრე გამყრელიძე**

კათედრის შემადგენლობა: პროფესორი - ალექსანდრე გამყრელიძე, ასოც. პროფ. ბეჟან ღვაბერიძე, ასოც. პროფ. რევაზ ქურდიანი, ასისტ. პროფ. გურამ კაშმაძე, ასისტ. პროფ. მედეა იორდანიშვილი

შენიშვნა: ბეჟან ღვაბერიძის მიერ შესრულებული სამუშაოების ანგარიში იხილეთ გამოყენებითი ინფორმატიკის ნაწილში

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ამოზნექილი ტოპოლოგია: მრავალწახნაგების კატეგორიულ-ალგორითმული კვლევა	შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	იოსებ გუბელაძე (სან ფრანცისკო)	ალექსანდრე გამყრელიძე
დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია) შემუშავებული და იმპლემენტირებულია მრავალწახნაგთა ჰომ-კომპლექსების გამოთვლის ახლებური მიდგომის პრინციპები და მასთან დაკავშირებული ალგორითმები (პროექტი დასრულებულია)				
2	ალგორითმები დაბალგანზომილებიან ტოპოლოგიაში: გრაფთა ინვარიანტები	Universität des Saarlandes (გერმანია)	Günter Hotz (გერმანია) ალექსანდრე გამყრელიძე	Günter Hotz ალექსანდრე გამყრელიძე
დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია) შემუშავებულია გრაფთა ახლებური ინვარიანტები, იმპლემენტირებულია მათი გამოთვლისთვის საჭირო ალგორითმები და წარმოდგენილია პრაქტიკული შედეგები (პროექტი დასრულებულია)				
3	ჰომოლოგიური და კატეგორიული მეთოდები ტოპოლოგიასა, ალგებრასა და სტეკების თეორიაში	შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	თეიმურაზ ფირაშვილი (დიდი ბრიტანეთი)	რევაზ ქურდიანი
დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)				

კომუტატური მონოიდების გრილეს კოჰომოლოგიები დაკავშირდა ახალი Γ-მოდულების ანდრე-ქვილენის კოჰომოლოგიებთან

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**Alexander Gamkrelidze**	New Invariants for the Graph Isomorphism Problem	Journal of Mathematical Sciences Accepted for print	Springer, New York	9

ანოტაცია

In this paper we introduce a novel polynomial-time algorithm to compute graph invariants based on the modified random walk idea on graphs. However not proved to be a full graph invariant by now, our method gives the right answer for the graph instances other well-known methods could not compute (such as special F\"urer Gadgets and point-line incidence graphs of finite projective planes of higher degrees).

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**გურამ კაშმაძე**	გრაფებისა და ქსელების ენტროპია	თსუ, 02.2015
2	**გურამ კაშმაძე**	ლოგიკური ენტროპიისა და შენონის ენტროპიის შედარებითი ანალიზი	თსუ, 12.2015

მოხსენებათა ანოტაციები

1. მოხსენებაში განხილული იყო ენტროპიის ცნება, რომელიც ითვალისწინებს ობიექტის სპეციფიკურ თავისებურებას, მის სტრუქტურას. წარმოდგენილი იყო C++ პროგრამა, რომელიც განსაზღვრავდა გრაფის ავტომორფიზმების ჯგუფის ორბიტებს და ითვლიდა გრაფის ენტროპიას.

2. მოხსენებაში განხილული იყო ლოგიკური ენტროპიის ცნება, რომელიც სიმრავლის

ქვესიმრავლეებად დაყოფის ლოგიკას ეფუძნება. ერთმანეთის პარალელურად იყო მოცემული ლოგიკური ენტროპიისა და შენონის ენტროპიის ურთიერთშესაბამისი თვისებები.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ალექსანდრე გამყრელიძე	Algorithms for Convex Topology: Computation of Hom-Complexes	ბერლინი, 11.08.2015
მოხსენებათა ანოტაციები მოხსენებაში განხილული იყო პოლიტოპთა ჰომ-კომპლექსების გამოთვლის ეფექტური ალგორითმები			

პროგრამული უზრუნველყოფის ლაბორატორია

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: **ჯულიეტა გაგლოშვილი**

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

ჯულიეტა გაგლოშვილი – ლაბორატორიის ხელმძღვანელი;
ირმა ასლანიშვილი – ინჟინერი;
მაკა ოდილაძე – უფროსი ინჟინერი;
სილვა ტოროსიანი, უფროსი ინჟინერი, Wolfram Research კომპანიის ტექნოლოგიებისა და სასწავლო კურსების სერტიფიცირებული ინსტრუქტორი: http://www.wolfram.com/training/instructors/torosyan.html

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	DO/280/4-110/14 ინოვაციური პროცესების მართვის მრავალკონტურიანი მექანიზმების მოდელირება და კვლევა მართვის სისტემები	რუსთაველის ფონდი	ჯულიეტა გაგლოშვილი	ჯულიეტა გაგლოშვილი
1. პროექტი დასრულდება ამ წლის ზაფხულში				

II. 1. პუბლიკაციები:
ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ჯ. გაგლოშვილი	სკრინინგისა და		საქართველოს	

	ზ.გასიტაშვილი ს.ხუციშვილი	რანჟირების ამოცანები ღია ინოვაციებში		ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული	14
2	არჩილ ფრანგიშვილი ჯულიეტა გაგლოშვილი ზურაბ გასიტაშვილი სულხან ხუციშვილი	ინოვაციური პროცესების მართვის ამოცანების მათემატიკური მოდელირება		აკადემიკოს ი.ფრანგიშვილის დაბადების 85 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები, მოდელირება, მართვა" შრომები	6
3	ჯულიეტა გაგლოშვილი სულხან ხუციშვილი	მოდელირების ამოცანები ღია ინოვაციურ პროცესებში		ბიზნეს-ინჟინერინგი 4/2015	3
4	მაკა ოდილაძე ნინო ნარიმანიძე თამარ ბურჭულაძე	"ჰიპერვიზორები და ინფორმაციის უსაფრთხოება" საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტი შრომათა კრებული	№19 2015	ქ.თბილისი გამომცემლობა "უნივერსალი"	3

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. წარმოდგენილია ღია ინოვაციური პროცესის ინტეგრირებული სტრუქტურული მოდელი. მოცემულია დახურული და ღია ინოვაციური მოდელების ძირითადი მახასიათებლები და მათი შედარებითი ანალიზი. ინოვაციური პროცესი განიხილება, როგორც მართვის ობიექტი შესაბამისი ღია კავშირებით. ასეთი

მოდელისთვის ფორმირებულია მართვის რამოდენიმე ამოცანა და ხდება მათი მოდელირება. ნაშრომი წარმოადგენს გარკვეულ რეკომენდაციებს და წინაპირობას იდეების მართვის კომპიუტერული სისტემის შესაქმნელად;

2. ნაშრომში განხილულია ინოვაციური სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი - ინოვაციური პროცესი, მისი არსი და მოდელების ევოლუციის ეტაპები. წარმოდგენილია სხვადასხვა თაობის ინოვაციური მოდელების ბაზაზე შექმნილი ღია ინოვაციის ახალი სტრუქტურული მოდელი. აღნიშნულ მოდელში ინოვაციური პროცესი წარმოდგენილია როგორც გარკვეულ სტადიების თანმიმდევრობა პირდაპირი და უკუკავშირებით. გამოკვეთილია გარემოსთან მჭიდრო და ღია ურთიერთობის აუცილებლობა. ღია მოდელებისთვის გამოკვეთილია პროცესის სხვადასხვა სტადიებზე არსებული ამოცანები და წარმოდგენილია მათი მოდელირება;
3. ნაშრომში განხილულია ინოვაციური სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი - ინოვაციური პროცესი, მისი არსი და მოდელების ევოლუციის ეტაპები. წარმოდგენილია სხვადასხვა თაობის ინოვაციური მოდელების ბაზაზე შექმნილი ღია ინოვაციის ახალი სტრუქტურული მოდელი. აღნიშნულ მოდელში ინოვაციური პროცესი წარმოდგენილია როგორც გარკვეულ სტადიების თანმიმდევრობა პირდაპირი და უკუკავშირებით. გამოკვეთილია გარემოსთან მჭიდრო და ღია ურთიერთობის აუცილებლობა. ღია მოდელებისთვის გამოკვეთილია პროცესის სხვადასხვა სტადიებზე არსებული ამოცანები და წარმოდგენილია მათი მოდელირება.
4. ჰიპერვიზორი გვევლინება ვირტუალიზაციის ბაზისად, უზრუნველყოფს რა ინფორმაციის უსაფრთხოებას და მართავს ვირტუალურ მანქანას. პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ვირტუალიზაციის უსაფრთხოებასთან ღრუბლოვან გამოთვლებში, მოითხოვს ანალიზს და შესაბამის გადაწყვეტილებებს.

ნაშრომში განხილულია ჰიპერვიზორის ტექნიკური მახასიათებლების გავლენა ინფორმაციის უსაფრთხოებაზე. მოცემულია ჰიპერვიზორების ტიპების დახასიათება სხვადასხვა პარამეტრებით მათი წარმადობის გათვალისწინებით. მოცემულია რეკომენ-დაციები.

საკვანძო სიტყვები: ღრუბლოვანი გამოთვლები, ჰიპერვიზორი, ინფორმაციის უსაფრთხოება.

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ირმა ასლანიშვილი ტარიელ ხვედელიძე.	MULTICAST ROUTING პროტოკოლების ეფექტურობის	სამეცნიერო საერთაშორისო ჟურნალი “ინფორმატიკა	ბულგარეთი	6

		ანალიზი	და მოდელები" 2015, N 4,1. 81-86 www.ithea.org		
2	ირმა ასლანიშვილი ტარიელ ხვედელიძე	მარტივი მოდელები TRANSMISSION CONTROL PROTOCOL (TCP)	I T A 2 0 1 5XVIII-th I N F O R M A T I C S 2015 www.ithea.org	ვარნა, ბულგარეთი.	6
3	ირმა ასლანიშვილი	მართვის მენეჯმენტის ხარისხი კომპიუტერული სენსორი ქსელებისთვის	Engineering-Smartex2015. 23 –25.11.2015 www.kfs.edu.eg/smartex2015 Engineering-Smartex2015.	ეგვიპტე	6
4.	ირმა ასლანიშვილი	კომუნიკაციის მეთოდები Ad Hoc ქსელებისთვის	Engineering-Smartex2015. 23 –25.11.2015 www.kfs.edu.eg/smartex2015	ეგვიპტე	6
ანოტაციები ქართულ ენაზე					

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	არჩილ ფრანგიშვილი ჯულიეტა გაგლოშვილი ზურაბ გასიტაშვილი სულხან ხუციშვილი	ინოვაციური პროცესების მართვის ამოცანების მათემატიკური მოდელირება	აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის დაბადების 85–ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი თბილისი 2015
2	ჯულიეტა გაგლოშვილი სულხან ხუციშვილი	მოდელირების ამოცანები ღია ინოვაციურ პროცესებში	მესამე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია- IEC-2015

			ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი თბილისი 2015
3	ჯულიეტა გაგლოშვილი	ღია ინოვაციური პროცესების მოდელირების ზოგიერთი ამოცანა	სამეცნიერო კონფერენცია" სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის ამოცანები საქართველოში" საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
4	კობა გელაშვილი ჯულიეტა გაგლოშვილი	AMPL Excel-ში SolverStudio-ს საშუალებით	მესამე საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში
5	ჯულიეტა გაგლოშვილი	Ms Office – ის განვითარება(Office 2013, Office 365)	მესამე საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში
6	ირმა ასლანიშვილი	მულტიქასტინგისმარშუტიზაციის პროტოკოლების ეფექტურობის ანალიზი	მესამე საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში
7	ირმა ასლანიშვილი; პ. კერვალიშვილი, პ.იანნაკოპოულოს.	დაცვის და უსაფრთხოების ახალი მეთოდები სენსორი ქსელებისთვის	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი თბილისი 02.06. 2015
8	სილვა ტოროსიანი	Wolfram Language - Creating beautiful programs using the code length of 140 characters https://twitter.com/Silvia_T	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით პირველად საქართველოში ჩატარდა მეცნიერების ფესტივალი 10-17 ნოემბერი 2015წ., თბილისი, თსუ

9	მაკა ოდილაძე	orosyan http://wolframtap.tumblr.com/archive https://twitter.com/wolframtap ვირტუალური მანქანების გამოყენება ქსელური ტექნოლოგიებისა და ოპერაციული სისტემების სწავლებისას	მესამე საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში 2-7 თებერვალი

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1. წარმოდგენილია ღია ინოვაციური პროცესის ინტეგრირებული სტრუქტურული მოდელი. მოცემულია დახურული და ღია ინოვაციური მოდელების ძირითადი მახასიათებლები და მათი შედარებითი ანალიზი. ინოვაციური პროცესი განიხილება, როგორც მართვის ობიექტი შესაბამისი ღია კავშირებით. ასეთი მოდელისთვის ფორმირებულია მართვის რამოდენიმე ამოცანა და ხდება მათი მოდელირება. ნაშრომი წარმოადგენს გარკვეულ რეკომენდაციებს და წინაპირობას იძლევის მართვის კომპიუტერული სისტემის შესაქმნელად;

2. ნაშრომში განხილულია ინოვაციური სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი - ინოვაციური პროცესი, მისი არსი და მოდელების ევოლუციის ეტაპები. წარმოდგენილია სხვადასხვა თაობის ინოვაციური მოდელების ბაზაზე შექმნილი ღია ინოვაციის ახალი სტრუქტურული მოდელი. აღნიშნულ მოდელში ინოვაციური პროცესი წარმოდგენილია როგორც გარკვეულ სტადიების თანმიმდევრობა პირდაპირი და უკუკავშირებით. გამოკვეთილია გარემოსთან მჭიდრო და ღია ურთიერთობის აუცილებლობა. ღია მოდელებისთვის გამოკვეთილია პროცესის სხვადასხვა სტადიებზე არსებული ამოცანები და წარმოდგენილია მათი მოდელირება;

3. წარმოდგენილია ღია ინოვაციური პროცესების მოდელირების ზოგიერთი ამოცანა და მათი გადაწყვეტის მეთოდები

4. MS Excel - ში ჩაშენებული მოდული - Solver ელექტრონული ცხრილების მილიონობით მომხმარებელს ეხმარება ოპტიმიზაციის ამოცანების გადაწყვეტაში. ეს მოდული ასევე წარმატებით გამოიყენება ოპერაციათა კვლევის საბაზო კურსის სწავლების დროს. ამჟამად არსებობს ძალიან შთამბეჭდავი და ეფექტური საშუალება (plug-in) – SolverStudio, რომელსაც ირჩევენ დახვეწილი მომხმარებლები მოდელირების და სიმულაციების ამოცანების გადაწყვეტის დროს. SolverStudio მომხმარებელს საშუალებას აძლევს, რომ მან უშუალოდ Excel -ში გამოიყენოს მოდელირების ისეთი ენები როგორიცაა AMPL, GAMS, PuLP, GMPL და Gurobi's Python. ამ შემთხვევაში, Excel-ში ინტეგრირება ქმნის დამატებით კომფორტს როდესაც გვაქვს დიდი ზომის ელექტრონული ცხრილები, და რადგან მონაცემების სიმულაცია აგრეთვე ადვილია. აღსანიშნავია, რომ SolverStudio-ში მომზადებული ამოცანი გადაჭრა შესაძლებელია როგორც desctop application, ასევე ოპტიმიზაციის ღრუბლოვანი (cloud) NEOS Server - ის გამოყენებით, რომელიც გვაძლევს

ათეულობით საუკეთესო ოპტიმიზაციის Solver-თან წვდომას (მაგალითად) AMPL-ის ინტერფეისით. მოხსენებაში განხილულია რამდენიმე ტიპური ამოცანის გადაჭრის რამდენიმე ტიპური გზა, რომელსაც გვთავაზობს ზემოთ აღნიშნული plug-in. აგრეთვე, მათემატიკური პროგრამირების ენასთან (AMPL) დაკავშირებული რამდენიმე ტიპური საკითხი (მნიშვნელობა, სტატუსი, გავრცელება და სხვა).

5. აქტუალურია კითხვები: რა განსხვავებაა Office 2013 - სა და Office 365 – ს შორის, რომელი Office 2013 თუ Office 365, რომელი და როგორ ვასწავლოთ, რას გვთავაზობს ამ პროდუქტების სტუდენტური პაკეტები? და აშ. მოხსენებაში საუბარია სწორეს ამ საკითხებზე.

6. ჩვენ ვსწავლობთ მობილურ უსადენო ქსელებს, რომლებიც რთული განაწილების სისტემებს წარმოადგენს, რომელიც შედგება უსადენო მობილური და სტატიკური კვანძებისაგან, რომლებსაც თავისუფალი და დინამიკური თვითორგანიზება შეუძლიათ. მთავარ ამოცანას წარმოადგენს: მარშუტიზაციის MRDC პროტოკოლების გამოყენება, რაც გამოხატულია გადაცემის ეფექტურობისა და მდგრადობისათვის. ამ მოდელირების მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ შევაფასოთ საიმედოობა და ეფექტურობა გადაცემის ხის მოდელისთვის. ამ პროცესის ანალიზი მოიცავს ორ ძირითად მიზანს: შევარჩიოთ ძირითადი პარამეტრები MRDC -ის და განვიხილოთ მუშაობის სხვადასხვა მოდელები.
საკვანძო სიტყვები: უსადენო ქსელები,პროტოკოლები, მარშუტიზაციის ოქმები, პაკეტი,კვანძები, სასრული მეხსიერება,MRDC, მეტრიკის მოდელირება.

7. Ad Hoc უსადენო ქსელები და სენსორული ქსელები არის თვითორგანიზებადი ავტონომიური ქსელები, მათ ეფექტურობას მათი დაბალი ღირებულება განსაზღვრავს, ისინი რთული განაწილების სისტემებს წარმოადგენენ, მათ თავისუფალი და დინამიკური თვითორგანიზება შეუძლიათ. ამ ქსელების კომერციულ წარმატება დამოკიდებულია ქსელში ინფორმაციის გარანტირებულ დაცვაზე. სენსორული ქსელებისათვის ახალი ინოვაციური მეთოდები უფრო პოპულარულია. ამ სტატიაში ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ მობილურ დ ოც ქსელების გარემოსთვის მნიშვნელოვანი პრობლემები. ჩვენ ვიკვლევთ პრობლემას, რომელიც ეხება უსადენო სენსორული ქსელის უსაფრთხოებასა და მის დაცვას.
საკვანძო სიტყვები: Wireless Ad Hoc უსადენო ქსელები, პროტოკოლები, სენსორები, პაკეტი, კვანძები, სასრული მეხსიერება, უსაფრთხოება და დაცვა.

8. პროგრამა Wolfram Mathematica–ს აქვს მძლავრი გრაფიკული შესაძლებლობები. განხილულია გრაფიკული ვიზუალიზაციის ამოცანები და შესაბამისი ამოხსნები. ამოცანებში გამოყენებულია Wolfram Mathematica პროგრამის როგორც სტანდარტული ფუნქციები, ასევე მომხმარებლის მიერ შექმნილი ფუნქციები. ჩემ მიერ შესწავლილია საინტერესო გრაფიკული ამოცანები სიბრტყეზე და სივრცეში და შედეგები იყო წარმოდგენილი მეცნიერების ფესტივალზე. ახსანიშნავია, რომ ყველა პროგრამის კოდი შეიცავს მხოლოდ 140 სიმბოლოს და ათვირთულია საიტზე http://wolframtap.tumblr.com/archive. Wolfram Research კომპანიის ახალი პროექტის Tweet-a-Program -ის (https://twitter.com/wolframtap) მეშვეობით შესაძლებელია Wolfram Language ენაზე დაწერილი პროგრამების პოპულარიზაცია.

9. სასწავლო-სამეცნიერო პროცესის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების ერთერთ შესაძლო გზას, როგორც შინაარსობრივად, ისე ხარისხობრივად წარმოადგენს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა. მასში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ვირტუალიზაცია.
მოხსენებაში განხილულია ვირტუალიზაციის ორი ძირითადი ტიპი: აპარატურული და პროგრამული. პროგრამული ვირტუალიზაციის ორი ტიპი: კომპიუტერის ემულაცია (ვირტუალური მანქანა/Virtual machine, BM/VM) და ვირტუალური შესრულების გარემოს შექმნა (Virtual Environment,VE). ნაჩვენებია ვირტუალური მანქანების სწავლების საშუალებად გამოყენების შესწავლა და დანერგვის საკითხები.
მოხსენებაში დასაბუთებულია სასწავლო დაწესებულების ქსელში ჩართულ კომპიუტერზე ვირტუალური მანქანების გამოყენების უპირატესობები. განხილულია პოპულარული ვირტუალიზაციის პროგრამული პროდუქტის VMware Workstation-ის გამოყენებით, ოპერაციული სისტემებისა და ქსელური ტექნოლოგიების დარგში, სწავლების პრობლემების უფრო ეფექტურად და ხარისხიანად გადაწყვეტის გზები.
საუბარია აგრეთვე, სასწავლო ლაბორატორიებში ვირტუალური მანქანებისა და Linux ოპერაციული სისტემის დაყენება და გამოყენება თუ როგორ უწყობს ხელს სასწავლო პროცესში სტუდენტების ცოდნის ამაღლებას.
მოხსენებაში საუბარია ვირტუალური მანქანასთან სწავლებისა და მუშაობის პროცესის დროს არსებული ჯგუფების შესახებ.
აგრეთვე განხილულია კრიტერიუმები, რომელიც უნდა იქნას გათვალისწინებული სწავლების საშუალებად ვირტუალური მანქანის არჩევის დროს.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ირმა ასლანიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის მართვა და ხარისხის უზრუნველყოფა	საერთაშორისოკონფერენცია კომუნიკაცია, ქსელები და ინფორმაციულიტექნოლოგიები ICCMIT'15 20-22.04.2015 www.iccmit.net , პრაღა.
2	ირმა ასლანიშვილი	(TCP) გადაცემის მართვის პროტოკოლის მარტივი მოდელი	საერთაშორისოკონფერენცია კომუნიკაცია, ქსელები და ინფორმაციულიტექნოლოგიები ICCMIT'15 20-22.04.2015 www.iccmit.net, პრაღა.
3	ირმა ასლანიშვილი	მართვის მენეჯმენტის ხარისხი კომპიუტერული სენსორი ქსელებისთვის	მსოფლიო საერთაშორისო კონფერენცია. ეგვიპტე Engineering-Smartex2015. 23 – 25.11.2015 www.kfs.edu.eg/smartex2015

4	ირმა ასლანიშვილი	კომუნიკაციის მეთოდები Ad Hoc ქსელებისთვის	მსოფლიო საერთაშორისო კონფერენცია. ეგვიპტე www.kfs.edu.eg/smartex2015
5	ირმა ასლანიშვილი ტარიელ ხვედელიძე.	მარტივი მოდელები TRANSMISSION CONTROL PROTOCOL (TCP)	საერთაშორისო კონფერენცია I T A 2 0 1 5XVIII-th I N F O R M A T I C S 2015, ვარნა, ბულგარეთი.
6	ირმა ასლანიშვილი ტარიელ ხვედელიძე.	MULTICAST ROUTING პროტოკოლების ეფექტურობის ანალიზი	სამეცნიერო საერთაშორისო ჟურნალი "ინფორმატიკა და მოდელები" 2015, 4, N1. Pg 81-86 www.ithea.org
7	სილვა ტოროსიანი	Analysis of the Project: Wolfram Tweet-a-Program ახალი პროექტის Wolfram Tweet-a-Program ანალიზი	26 – 27 სექტემბერი, სომხეთი, ქ. დილიჟანი http://www.wolfram.com/events/technology-conference-am/2015/
8	სილვა ტოროსიანი	Master Class: Introduction to Wolfram Language მასტერ კლასი თემაზე: შესავალი Wolfram Mathematica -ში	26 – 27 სექტემბერი, სომხეთი, ქ. დილიჟანი http://www.wolfram.com/events/technology-conference-am/2015/

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1. კარგი მმართველობა მნიშვნელოვანია უმაღლეს სასწავლებლებში. ხარისხი არის უმთავრესი უმაღლეს განათლებაში. ბოლონიის პროცესით ხარისხის მართვის (QM) და ხარისხის შეფასების (QA) მოთხოვნები უმაღლესი განათლების დაწესებულებებში უკვე თითქმის ყველგანაა. გარდა ამისა, ხარისხის უზრუნველყოფისათვის განათლების სფეროში, მნიშვნელოვანია უნივერსიტეტების ყოველდღიური დაფინანსება, რეპუტაცია, სტუდენტები და მკვლევარები. ხარისხის გაუმჯობესება მის ხარისხის მართვის სისტემაზეა დამოკიდებული და მოიცავს მრავალ ასპექტს.

საკვანძო სიტყვები: ხარისხის მართვა, უმაღლესი განათლება, ბოლონიის პროცესი.

2. Ad hoc ქსელების რთული განაწილების სისტემებია, რომელიც უძრავი და სტატიკური კვანძებისაგან, რომლებსაც თავისუფლად შეუძლია თავისუფალი და დინამიური თვითორგანიზება. [ნამიჩეიშვილი,2011]. ამ გზით ისინი ქმნიან "Ad hoc" ქსელის დროებით ტოპოლოგიას, რომელიც საშუალებას იძლევა წინასწარ არსებული ინფრასტრუქტურით მიხედვით მოხდეს მოწყობილობების ურთიერთდაკავშირება. ახალი პროტოკოლების შემოტანა, როგორიცაა Bluetooth, IEEE 802.11. ad hoc ქსელები ჰიპერბმულის მიღებისას

შესაძლოა გამოყენებული იქნეს კომერციული მიზნებისთვის. TCP (Transmission Control Protocol) პროტოკოლი შეიქმნა, რათა უზრუნველყოს მონაცემების საიმედო გადაცემა, არასანადო ქსელების შემთხვევაშიც კი. თეორიულად, TCP პროტოკოლის ძირითადი ინფრასტრუქტურა უნდა იყოს დამოუკიდებელი. კერძოდ, TCP-მ უნდა უზრუნველყოს, ინტერნეტ პროტოკოლი. ასევე (IP)-ს მუშაობა სადენიან ან უსადენო ქსელებისთვის. პრაქტიკაში, რა თქმა უნდა ამას აქვს მნიშვნელობა, რადგან ყველა TCP-ე წარმოადგენს კონკრეტულ ქსელებს და მათთვის არსებობს დაცვითი მექანიზმი. უკაბელო ქსელში ამ თვისებების უგულველყოფამ შეიძლება გამოიწვიოს TCP სამუშაოს არა დამაკმაყოფილებელი შესრულება. მართლაც, მობილური ან სტატიკური კვანძებისთვის დანაკარგები იწვევს ad hoc ქსელის გადატვირთვას. ამ სტატიაში ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს მოდელი: თუ როგორი ეფექტური შეიძლება იყოს TCP უფრო დაბალი დონის პროტოკოლებისათვის.

საკვანძო სიტყვები: Ad Hoc -ქსელები, პროტოკოლები, პაკეტები, სასრული მეხსიერება, დამაკავშირებელი კვანძი, TCP, სიმულაცია, TCP -უკუ კავშირი, TCP-კარი.

3. სტატიაში საუბარია ბოლონიის 1999 წელს დადებული დეკლარაციის შესახებ, რომელსაც 29 ქვეყანამ მოაწერა ხელი. ისინი შეთანხმდნენ უმაღლესი განათლების ევრუპული სტანდარტების სისტემაზე, რომლის შეფასების სისტემას წარმოადგენს კრედიტები. ევროპის ამ ასოციაციამ უნივერსიტეტებში მთავარი როლი ითამაშა, ასევე უნდა აღინიშნოს კომპიუტერული სისტემების და კომპიუტერული სენსორული სისტემების დანერგვა და მისი სწავლების ხარისხი. სტატიაში ჩამოთვლილია ის ძირითადი დებულებები, რაც მნიშვნელოვანია ამ კომპანიებსა და ინსტიტუტებს შორის ურთიერთ თანამშრომლობისთვის.

საკვანძო სიტყვები: კომპიტერული სენსორული სისტემები, მენეჯმენტი, ქსელები, ადმინისტრირება, კრედიტები, პროგრამები.

4. უსადენო Ad Hoc ქსელები არის თვით ორგანიზებადი, ავტონომიური ქსელები. როდესაც არ არსებობს ინფრასტრუქტურა, ასეთი ქსელების გამოყენება მიზანშეწონილია და მომგებიანია, ცხადია წარმატებული რეალიზაცია ასეთი ქსელებისა დამოკიდებულია, სპეციალურ უსაფრთხო პროგრამებზე, რომლებიც უზრუნველყოფს ქსელის მომხმარებლების მომსახურებას, ჩვენ ვიკვლევთ შემდეგ ძირითად პრობლემებს: Ad Hoc უსადენო ქსელების გარემოსათვის. ჩვენ ვხსნით იმ პრობლემებს, რომლებიც უზრუნველყოფს Ad Hoc ქსელების ინფრასტრუქტურას, ჩვენ ასევე ვაჩვენებთ, რომ ad hoc ქსელის შემთხვევაში, ქსელის ტოპოლოგის დიზაინი უნდა ითვალისწინებდეს მისი რესურსების ეფექტურად მართვას.

საკვანძო სიტყვები: ad hoc ქსელები, MANETs, მარშრუტიზაციის პროტოკოლები, პაკეტი, წყაროს კვანძი, სასრული მეხსიერება, (RB) ქსელის ტოპოლოგია.

5. AD Hoc ქსელები, რომლებიც შედგებიან უკაბელო მობილური და სტატიკური კვანძებისგან, რომლებსაც შეუძლიათ თავისუფალი და დინამიური თვით ორგანიზება.

სტატიაში განხილულია ის მარტივი მოდელები რომლებიც უზრუნველყოფს ქსელში პაკეტების გადაცემას.

საკვანძო სიტყვებია: AD Hoc ქსელები, პროტოკოლები, მარშრუტიზაციის პროტოკოლი, პაკეტი, შემავალი კვანძები, სასრული მეხსიერება.

6. AD Hoc ქსელები, რთული განაწილების სისტემები, რომლებიც შედგებიან უკაბელო მობილური და სტატიკური კვანძებისგან, რომლებსაც შეუძლიათ თავისუფალი და დინამიური თვით ორგანიზება.[5] ჩვენ წარმოგიდგენთ აქტიური მარშრუტიზაციის (ARMPIS) პროტოკოლს AD Hoc ქსელებისთვის, ასევე შუალედური კვანძს, რათა ვუზრუნველყოთ ამ ქსელში პაკეტების გადაცემის საიმედოობა. ამ სტატიაში განხილულია პაკეტების გადაცემის ხის ტოპოლოგიის ეფექტუროობა და უსაფრთხოება. ამ მოდელირების მიზანს წარმოადგენს: ის, რომ შევაფასოთ გადაცემის ხის ეფექტუროობა და უსაფრთხოება. მოდელირების შესრულების ანალიზი შედგება ორი ძირითადი მიზნისგან: ამოვირჩიოთ ძირითადი გასაღები პარამეტრები MRDC-ი და გავაანალიზოთ სხვა და სხვა ქსელისთვის მოძრაობის მობილურობა. გამოყენებითი ანალიზი კი იყოფა ორ ნაწილად: გადაცემის ხის ანალიზი და მისი პროტოკოლების შედარება.

საკვანძო სიტყვები: AD Hoc ქსელები, პროტოკოლები, მარშრუტიზაციის პროტოკოლი, პაკეტი, შემავალი კვანძები, სასრული მეხსიერება, MRDC-გადაცემების ხის ანალიზი, სიმულაციის მოდელირება, განმეორებითი გადაცემისას ქსელის დატვირთვა.

7. ნაშრომში განხილული იყო Wolfram Research კომპანიის ახალი პროექტის Tweet-a-Program -ის, რომელიც არსებობს 18 სექტემბრიდან 2014წ. (http://blog.wolfram.com/2014/09/18/introducing-tweet-a-program/) დეტალური ანალიზი.

საკვანძო სიტყვები: Wolfram Language, Tweet-a-Program, გრაფიკული ობიექტი, Wolfram Mathematica

8. კომპიუტერული სისტემა Wolfram Mathematica არის საკმაოდ კარგი აპარატი კვლევითი და სასწავლო ხასიათის ამოცანების გადაწყვეტაში. კომპიუტერული სისტემა Wolfram Mathematica საშუალებას აძლევს მომხმარებელს იმუშაოს მასთან, როგორც კალკულატორთან და როგორც მძლავრ დაპროგრამების სისტემასთან, რომლის საშუალებით მომხმარებელს შეუძლია მათემატიკური მოდელების აგება და მათი გამოკვლევა. Wolfram Mathematica სისტემის დაპროგრამების ენა აძლევს საშუალებას მომხმარებელს გააფართოვოს სისტემა ახალი ფუნქციებით და აგრეთვე შექმნას სხვადასხვა პროგრამული მოდულები, რომლებიც ინტერაქტიურ რეჟიმში იმუშავებენ. ამასთან იგი უზრუნველყოფს დაპროგრამების სხვადასხვა მეთოდის და სტილის გამოყენებას.

საკვანძო სიტყვები: Wolfram Language, Wolfram Mathematica, Wolfram Alpha

ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტი

თსუ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტი

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი

პროფ. გიორგი ღვედაშვილი

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა

პროფ. გიორგი ღვედაშვილი
ასოც. პროფ. დავით კაკულია
ასისტ. პროფ. ლევან შოშიაშვილი
ასისტ. პროფ. ლევ გეონჯიანი
ასისტ. პროფ. ცისანა გავაშელი

I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

I. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	GRID ინფრასტრუქტურისა და სერვისების განვითარება საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებების დასახმარებლად (საგრანტო ხელშეკრულება №30/16)	საქართველოს შოთა რუსთველის სახ. ეროვნული სამეცნიერო ფონდი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველოს სამეცნიერო–საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაციია - „გრენა“	**გიორგი ღვედაშვილი**	**გიორგი ღვედაშვილი** რამაზ ქვათაძე თამარ გოგუა ირაკლი გედევანიშვილი ბადრი ჭილაძე მიხეილ მახვილაძე გიორგი მიკუჩაძე

დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

პროექტის მიზანი იყო ქართველი მეცნიერებისათვის ახალი კვლევითი გარემოს განვითარება, რომელიც მათ უზრუნველყოფს GRID ინფრასტრუქტურითა და მომსახურებით. კერძოდ, საქართველოში არსებული GRID სისტემის მნიშვნელოვანი განვითარება (გამოთვლითი და მეხსიერების რესურსის 10-ჯერ გაზრდა) და მისი სტაბილური ფუნქციონირება ევროპის GRID ინფრასტრუქტურის ფარგლებში, ახალი ინოვაციური სერვისების დანერგვა, რომელიც ხელმისაწვდომია ევროპის GRID ინფრასტრუქტურაში.

GRID ტექნოლოგიები არის განაწილებული კომპიუტერული რესურსების გამოყენების ფორმა, როდესაც განსაკუთრებით დიდი მოცულობის გამოთვლები ერთდროულად ტარდება ამ სერვისის მქონე სხვადასხვა ქვეყნის ინფრასტრუქტურის გამოყენებით. დღეისათვის რიგ დიდ საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის წინაპირობაა GRID სისტემის არსებობა. შესაბამისად, მაღალი ენერგიების ფიზიკის, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის, ბიოლოგიის, მედიცინის, მეტეოროლოგიის, კლიმატური ცვლილებების, სეისმოლოგიისა და სხვა დარგებში წამყვან საერთაშორისო კვლევით პროექტებში სრულმასშტაბიანი თანამშრომლობისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში განვითარებული GRID ინფრასტრუქტურის არსებობას. აქედან გამომდინარე, პროექტის ფარგლებში განვითარებული განაწილებული გამოთვლების (Distributed Computing GRID) ინფრასტრუქტურა საქართველოს სამეცნიერო პოტენციალის ევროპულ

კვლევებში ჩართვის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს იძლევა.
დასახული მიზნის მისაღწევად პროექტის ფარგლებში განხორციელდა 9 ამოცანა:

1. საქართველოს GRID სისტემის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის მოდერნიზაცია;
2. GRID სისტემის სტაბილური ფუნქციონირება და პროგრამული უზრუნველყოფის რეგულარული განახლება;
3. მონიტორინგის სისტემის ინსტალაცია;
4. სერტიფიკაციის ორგანოს ჩამოყალიბება და ფუნქციონირება;
5. საქართველოს GRID ვებ-გვერდის განვითარება;
6. ახალ მომხარებელთა საზოგადოებების კვლევა;
7. GRID-ის მომხმარებელთა დახმარება;
8. ტრენინგის მასალების მომზადება და მომხმარებელთა ტრენინგები;
9. პროექტის შედეგების გავრცელება და EGI-სთან ურთიერთობა.

შედეგად:

- განხორციელდა GE-01-GRENA GRID სისტემის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის მოდერნიზაცია.
- GE-01-GRENA სისტემა სრულად აკმაყოფილებს ევროპული GRID ინფრასტრუქტურის მოთხოვნებს და არის მასში ინტეგრირებული.
- შეიქმნა მონიტორინგის სისტემა Nagios-ი.
- ჩამოყალიბდა GRID სისტემის გამართვის და ფუნქციონირების, ასევე მომხმარებელთა დახმარების კვალიფიციური ჯგუფი.
- GRID სისტემის გამოყენებით ჩატარებულია სამეცნიერო კვლევები 6 მიმართულებით.

პროექტის ხელშეწყობით, პირველად საქართველოში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნა GRID სერტიფიკაციის ორგანო (Certification Authority – TSU CA), რომელიც აღიარებულია მსოფლიოს ყველა GRID სისტემის მიერ, რაც ქართველ მეცნიერებს საშუალებას აძლევს ეფექტურად გამოიყენონ შექმნილი შესაძლებლობები დიდი გამოთვლითი რესურსის საჭიროების მქონე სამეცნიერო ამოცანების გადაწყვეტაში.

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

1	კიბოს მკურნალობა ნანონაწილაკების გამოყენებით:ჰიპერთერმიის შესწავლა უჯრედულ დონეზე. ონკოლოგია	რუსთაველის ფონდი	ლევან შოშიაშვილი	ლ.შოშიაშვილი დ.კაკულია ა.ლომია

დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

1. კიბოს უჯრედების დაშლის მექანიზმის გაგება ნანო- ნაწილაკების გამოყენებით ოსცილირებად მაგნიტურ ველში. კერძოდ, ჩვენის აზრით უჯრედის დაშლის მეაქანიზმი განპირობებულია ნანონაწილაკების საშუალებით ლოკალური გადახურებით რასაც უზრუნველყოფენ სპეციალური ფორმის ნანონაწილაკები მხოლოდ ქსოვილის ცალკეულ ადგილებში ლოკალურად, სადაც ეს ნაწილაკებია მოთავსებული. ეს შედეგი კი უზრუნველყოფს კიბოს ჰიპერთერმიული მკურნალობის ეფექტურობას და უსაფრთხოებას პაციენტისათვის. .
2. მიკრო და ნანო მანძილებზე ბიოსითბოს განტოლებისთვის პროგრამული პაკეტის შექმნა.
3. ნაჩვენებია სითბური პარამეტრების ტემპერატურაზე დამოკიდებულების გათვალისწინების აუცილებლობა ჰიპერთერმიის პროცესში.
4. სითბური სენსორების საუკეთესო მდებარეობების დადგენა ტემპერატურული გაზომვებისთვის ჰიპერთერმიით მკურნალობის პროცესში.
5. ნაჩვენებია გრიგალური დენების წვლილი და შემოთავაზებულია მისი თვიდან აცილების მექანიზმები.
6. შეფასებულია შესაძლო ტემპერატურის მატება მკერდის სიმსივნეში ნანონაწილაკების სხვადასხვა დოზირებისას. ნაჩვენებია რომ ადგილი აქვს ტემპერატურის ლოკალურად მატებას სიმსივნურ არეში.

4.

2	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1.	მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული სახელმწიფო	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი და უკრაინის	ცისანა გავაშელი	ცისანა გავაშელი დავით გვენცაძე იური შარიმანოვი გიორგი მათიაშვილი

	სამეცნიერო გრანტების 2014 წლის კონკურსის გამარჯვებული პროექტი (MTCU/110/6-110/14; საგრანტო ხელშეკრულება #04/10; 10.02.2015) "მაგნიტოაკუსტიკური ეფექტების კვლევა დიდი დროითი მახსოვრობის მაგნიტოსტიქციულ მასალებში იმპულსური ბმრ და მაგნიტური ვიდეო-იმპულსური ტექნიკის გამოყენებით"	მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრი		

ანოტაცია
(პირველი კვარტლის შედეგები)

ზემოაღნიშნული საგრანტო პროექტის პირველი კვარტალში განხორციელდა:

1. მაგნეტიკებში და ნანომაგნეტიკებში დომენო-აკუსტიკური ექოსა (დაე) და მაგნეტოაკუსტიკური რეზონანსის თვისებების გამოკვლევა დაბალსიხშირული (დს) მაგნიტური ველის და მაგნიტური ვიდეო-იმპულსის (მვი) მოქმედებისას ბმრ მეთოდით.
2. დაე სიგნალების გამოკვლევა სუპერჰეტეროგენულ ბმრ სპეტრომეტრზე.
3. დაე მეთოდის განვითარება სუპერჰეტეროგენული ბმრ სპექტრომეტრისათვის მაგნეტიკებსა და ნანომაგნეტიკებში და ამ მეთოდის მგრძნობიარობის გაზრდა სენსორებში გამოყენების მიზნით.

იმის გამო, რომ მაგნეტიკებში ექო-სიგნალების ფორმირების პროცესები უფრო რთულია არამაგნიტურ მასალებთან შედარებით, საგრანტო ჯგუფის მიერ შემუშავდა ექსპერიმენტული კვლევის რიგი ორიგინალური მეთოდები, რომლებიც იძლევიან მაგნეტიკებსა და ნანომაგნეტიკებში ექო სიგნალების ფორმირების ძირითადი თავისებურებების გაგების საშუალებას. ამისათვის საჭირო გახდა იმპულსური ბირთვული მაგნიტური რეზონანსის (ბმრ) სპექტრომეტრის მოდერნიზაცია დომენო–აკუსტიკური სიგნალების დასამზერად. ძლიერი იმპულსური მაგნიტური ველის აღგზნებისათვის გამოყენებულ იქნა მაგნიტური ვიდეო–იმპულსური აგძნების მოწყობილობა , რომელიც დეტალურადაა განხილული საგრანტო ჯგუფის შრომაში: G.I.Mamniashvili, Y.G.Sharimanov, T.O.Gegechkori, A.M.Akhalkatsi, T.A.Gavasheli, D.I.Gventsadze, E.R.Kutelia, S.S.Nachkebia. "Long-term memory and magnetoacoustic effects at excitation of magnetostrictive materials by RF and magnetic pulses using pulsed NMR technique". Journal of Advances in Applied Acoustics (AIAA) Vol.2, N1, pp.34-43, 2013.

აკუსტიკური და მაგნიტური იმპულსების ერთდროული მოქმედების შედეგად ნიმუშში ჩნდება სტაციონალური სივრცულად პერიოდული მაგნიტური სტრუქტურა. ეს სტრუქტურა არის აკუსტიკური სიგნალის მაგნიტური სახე. ამ სტრუქტურის ფორმირება

შეიძლება აიხსნას დამაგნიტების ცვლილების შეუქცევადი პროცესებით. შესაბამისად, ინფორმაციის შენახვის ხანგძლივობა არის პრაქტიკულად უსასრულო.

დომენო–აკუსტიკური ექოს სიგნალის შემთხვევაში დამაგნიტების ცვლილების შეუქცევადი პროცესი დაკავშირებულია ფერიტის გრანულებში დომენური კედლების ძვრადობასთან. ნანოზომის მარცვლებში, დამაგნიტების ცვლილების შეუქცევადობა გამოწვეულია მაგნიტოსტრიქციით. დომენო–აკუსტიკური ექოს მოვლენა შესაძლებელია გამოყენებულ იქნას დაე–ს განსავითარებლად რადიოსიხშირული სიგნალების ინტეგრალური ტრანსფორმაციისათვის, დამმახსოვრებელ მოწყობილობებში და დაყოვნების ხაზებში.

დამაგნიტების ცვლილების შესწავლისას ვიბრაციული მაგნიტომეტრის (VSM) გამოყენებით ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა აჩვენა მაგნეტიტის ფხვნილში კოერციტული ძალის მნიშვნელოვნი ზრდა, რაც დაკავშირებულია დაფქვის შედეგად მაგნეტიტის ფხვნილში დომენო–აკუსტიკური სიგნალის და მაგნიტოაკუსტიკური გამოძახილის მკვეთრ შემცირებასთან. ასევე ექსპერიმენტულად ნაჩვენებია, რომ დომენური ექოს ეფექტი მაგნეტიტში განპირობებულია მეორე რადიოსიხშირული იმპულსის მოდებით და მაგნიტოსტრიქციის გამო მონოდომენურ (ერთდომენად ქცეულ) მაგნეტიტის მარცვალში იწვევს დამაგნიტების შეუქცევად ცვლილებას.

#	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2.	ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2014 წლის კონკურსში გამარჯვებული პროექტი (საგრანტო ხელშეკრულება # FR/41/3-250/14; 05.05.2015) “მაგნიტური ნანოკლასტერებით დოპირებული ნახშირბადოვანი ნანონაწილაკების სინთეზი და მათ საფუძველზე შექმნილი თვითაღმდგენი მაგნიტური პოლიმერული ნანოკომპოზიტური ფირების დამზადება და დახასიათება“	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ცისანა გავაშელი	ცისანა გავაშელი გრიგორ მამნიაშვილი დავით გვენცაძე ლერი რუხაძე

ანოტაცია
პირველი კვარტლის შედეგები

ნანოსტრუქტურული მასალების კონსტრუირების და განვითარების ექსპერიმენტული მეთოდიკა ნანოტექნოლოგიის და თანამედროვე მასალათმცოდნეობის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა. ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ მიმართულებად აღიარებულია და ჩვენს მიერ განვითარებულია ფერომაგნიტური კლასტერებით დოპირებული მაგნიტური ნახშირბადის ნანონაწილაკების სინთეზირების ტექნოლოგია. ეს ტექნოლოგია აერთიანებს ეთანოლის ორთქლის პიროლიზის მეთოდს და ორთქლის ქიმიური დალექვის მეთოდს.
საგრანტო პროექტის პირველი კვარტალში მოხდა ნახშირწყალბადების კატალიზური პიროლიზის მეთოდით მაგნიტური კლასტერული ნანოფხვნილების მისაღები დანადგარის მოდერნიზაცია, დაბალსიხშირული ინდუქციური გამაცხელებლის დაპროექტება, სტრუქტურული სქემის შემუშავება, მაკეტის დამზადება და აწყობა.
მოდერნიზებულ დანადგარზე განხორციელდა კობალტის ატომებით დოპირებული ნახშირბადოვანი ნანოფხვნილების ნიმუშების მოსინჯვითი სინთეზი Co-ის ბაზაზე, როგორც ფირფიტის, ასევე მისი ფხვნილის სახით გამოყენებით. მიღებული შედეგები დამაკმაყოფილებელია. დაბალსიხშირული ინდუქციური გამაცხელებლის არსებული ანალოგების ბაზაზე შემუშავდა დასამზადებელი გენერატორის პრინციპული ელექტრული სქემა, რომელის მოსალოდნელი სიმძლავრე იქნება 500-800 ვტ. და მთლიანად დამზადებული და აწყობილი იქნება გრანტის შემდეგ ეტაპზე.

#	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულე-ბის მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
3	ნანოსტრუქტურული მასალები ენერგიის გარდამქმნელებისათვის FR/467/3-250/14	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ავთანდილ თავხელიძე	ავთანდილ თავხელიძე მიხეილ მებონია დავით კაკულია ალექსანდრე კოჭლაშვილი ვიტალი ღოღობერიძე

ანოტაცია – ბოლო პერიოდში ახალი კვატური ეფექტები შესწავლილი იქნა ნონოსტრუქტურირებულ ფენებში. გამოკვლევებმა აჩვენა რომ თხელი ფენების თვისებები დამოკიდებული არამხოლოდ მათ სისქეზე არამედ გეომეტრიაზე. ზედაპირის ნანოსტრუქტურირება, როდესაც ზომები ელექტრონის დებროილის ტალღის სიგრძის რიგისაა, ადებს დამატებით სასაზღვრო პირობას ელექტრონის ტალღურ ფუნქციას და ამცირებს მდგომარეობის სიმკვრივეს. მდგომარეობების სიმკვრივის დათვლა მეტად მნიშვნელოვანია, მისი ანალოგიას წარმოადგენს კვანტური ბილიარდის პრობლემა. საჭიროა ვიპოვოთ საკუთარი მნიშვნელობები და საკუთარი ფუნქციები შრედინგერის სტაციონალური განტოლებისა რომელსიც ამოხსნილი იქნება დირიხლეს სასაზღვრო პირობით. სამწუხაროდ ანალიტიკური ამოხსნა ნანოსტრუქტურირებული გეომეტრისაა არ არსებობს, გამოყენებულია რიცხვით მეთოდი, რომელიც ცნობილია როგორც დამხმარე გამომსხივებლების მეთოდი. აპოვნია ნანოსტრუქტურირებული ფენის პირველი ხუთ მდგომარეობის

საკუთარ ფუნქციები და შედადარულია მას საშუალო სისქის ბრტყელ ფენის ფუნქციებთან კორელაციის საშეალებით. კორელაცია გამოიყენება მდოგმარეობების სიკმვრივის შემცირების გამოსათვლელად. ნაჩვენებია რომ ნანოსტრუქტურირება შესამჩნევად ცვლის კვანტური მდგომარეობების სიმკვრივეს. ელექტრონიკაში და თერმოელექტროობაში ეს ცვლილებები მნიშვნელოვნად აისახება.

II. 1. პუბლიკაციები:
ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	გ. მამნიაშვილი, ტ. გეგეჭკორი,	დიდი დროითი მახსოვრობის მქონე	№3 ტ. 75, 2015	ISSN: 1512-0287 TECHINFORMI, Tbilisi	გვ.15-22 (8 გვერდი)

	ც. გავაშელი, დ. გვენცაძე, ი. შარიმანოვი, დ. დარასელია, დ. ჯაფარიძე	სტიმულირებული დომენო-აკუსტიკური ეჭო სიგნალების წარმოქმნა მაგნეტიტის ფხვნილებში საქართველოს საინჟინრო სიახლენი (სსს)			
ანოტაციები ქართულ ენაზე					

II. 2. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	G. Mamniashvili, T. Gegechkori, A. Akhalkatsi, **T. Gavasheli**	On the Role of the Hyperfine Field Anisotropy in the Formation of a Single-Pulse NMR Spin Echo in Cobalt”/ Journal of Superconductivity and Novel Magnetism	Vol. 28, N3, pp. 911-916 (2015)	ISSN: 1557-1939 (Print) DOI 10.1007/s10948- http://link.springer.com /article/10.1007/s10948 -014-2812-9 014-2812-9 Springer Science+Business Media New Yourk	pp. 911-916 (6 გვერდი)

ანოტაციები ქართულ ენაზე

როგორც ცნობილია, ნივთიერების მაგნიტური თვისებების დასადგენად ფართოდ გამოიყენება ძლიერი მიკროსკოპიული კვლევის მეთოდი, კერძოდ მაგნეტიკებში ბმრ (NMR) სპინური ექოს გამოკვლევა . ეს მეთოდი საშუალებას იძლევა მივიღოთ ფასეული ინფორმაცია მაგნიტურ ნანონაწილაკებში მინარევებით და დეფექტებით განსაზღვრული ლოკალური ველების განაწილების შესახებ, მოკროსკოპულ დონეზე გამოვიკვლიოთ ანიზოტროპული ველების განაწილება და მათი ფაზური შემადგენლობა. ერთმპულსიანი ექოს ფორმირების მექანიზმი შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: ერთი მექანიზმი წარმოადგენს ე.წ. კიდეების - ტიპის მექანიზმს, როდესაც რადიოსიხშირული იმპულსის კიდეები მოქმედებს როგორც ორი მსგავსი რეზონანსული რადიოსიხშირული იმპულსი, ხოლო მეორე მექანიზმი უკავშირდება ექოს წარმოქმნის შინაგან ბუნებას.

ამ შრომაში ექსპერიმენტულად შესწავლილია ერთიმპულსიანი ექო სიგნალის ფორმირების ალტერნატიული მექანიზმი კობალტის ნიმუშში და შედარებულია იგი ლითიუმის ფერიტში სპინური ექოს ფორმირების მექანიზმთან. ნაჩვენებია, რომ კობალტის ნიმუშში ექო-სიგნალი ფორმირდება ძირითადად რადიოსიხშირული იმპულსის კიდეების დამახინჯებისას, რომელსაც თავის მხრივ იწვევს ზენაზი ველების ანიზოტროპია.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

2	G. Mamniashvili, T. Gegechkori, M. Okrosashvili, E. Kutelia, A. Akhalkatsi, **T. Gavasheli,** D. Daraselia, D. Japaridze, A. Shengelaya, A. Peikrishvili, D. Lesuer	"**Production of cobalt nanopowders by electron-beam technology and their NMR and magnetometry study**" Journal of Magnetism and Magnetic Materials	Vol. 28, N3, pp. 911-916 (2015)	Volume 373, 1 January 2015, ISSN: 0304-8853 NORTH-HOLLAND http://www.sciencedirect.com/science/article/pii/S03048853140028 7X	pp. 177-182 (6 გვერდი)

ანოტაცია ქართულ ენაზე

ბოლო ათწლეულში განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინეს ნახშირბადის ისეთი ახალი ნანოსტრუქტურული ფორმების თეორიულმა და ექსპერიმენტულმა კვლევებმა, როგორიცაა ნანონაწილაკები, ნანომილაკები და ნანოძაფები, რაც დაკავშირებულია ნანოსტრუქტურული ნაწილაკების ზომებთან და მათი აღნაგობის თავისებურებებთან. ნანოსტრუქტურული ნაწილაკები ამჟღავნებენ უნიკალურ ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებს და მათი გამოყენება შესაძლებელია ადამიანის მოღვაწეობის თითქმის ყველა სფეროში (მიკროელექტრონიკა, მედიცინა და ა.შ.). განსაკუთრებით გაძლიერდა ინტერესი კვლევებისადმი ნახშირბადის ბაზაზე შექმნილი მასალების მიღების ისეთი ტექნოლოგიების, რომლებიც ორიენტირებული არიან ნახშირბადის ნანონაწილაკების (ნანომილაკები, ნანოძაფები, კლასტერები) დოპირებული მოდიფიკაციების მისაღებად.

ნაშრომში კომპლექსურადაა შესწავლილი რკინით და კობალტით დოპირებული ნახშირბადის ნანოფხვნილების მორფოლოგია, ზომები, ქიმიური შემადგენლობა და მაგნიტური თვისებები თანამედროვე ანალიტიკური ხელსაწყოების გამოყენებით (სკანერული ელექტრონული მიკროსკოპი, ვიბრატორული მაგნიტომეტრი). ნახშირბადით დოპირებული ნანოფხვნილში ელემენტების განაწილება შესწავლილია ოუჟერ ელექტრონული სპექტროსკოპიის მეთოდით.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
3	T. Gegechkori, G. Mamniashvili, E. Kutelia, L.Rukhadze N.Maisuradze, B.Eristavi, D.Gventsadze, A. Akhalkatsi,	" Technology for **production of magnatic carbon nanopowders doped with iron and cobalt nanoclasters**"	Volume 373, 1 January 2015,	ISSN: 0304-8853 NORTH-HOLLAND http://www.sciencedirect.com/science/article/pii	pp. 200-206 (6 გვერდი)

	T. Gavasheli, D. Daraselia, D. Japaridze, A. Shengelaya,	Journal of Magnetism and Magnetic Materials		/S030488531400287X	

ანოტაცია ქართულ ენაზე

ნაშრომში მოცემულია ნახშირბადის ნანოფხვნილების მაგნიტური კლასტერების დოპირების მეთოდი ელექტრონულ-სხივური ტექნოლოგიის გამოყენებით. ნახშირბადის ნანოფხვნილების მაგნიტური კლასტერების დოპირება ხორციელდება ავტორთა მიერ შემუშავებული ახალი მარტივი ტექნოლოგიური ციკლით: ეთილის სპირტის (და სხვა ნახშირწყალბადების) ორთქლის პიროლიზისა და ქიმიური ორთქლის დალექვის პროცესის კომბინაციით პარამეტრების (წნევის, ტემპერატურის და ა.შ.) კონტროლირების პირობებში. ნაშრომში განვითარებული ტექნოლოგიის საშუალებით შესაძლებელია მივიღოთ მაღალი ანიზოტროპიის რენტგენულად ამორფული კობალტის ნანოზომის ფხვნილები და მათი კომპოზიტები სილიკონის პოლიმერულ ბაზაზე, რომელებიც არ მოითხოვენ დამატებით პასივირებას. აღნიშნული ტექნოლოგიით მიღებული ნახშირბადის ნანოფხვნილების კომპლექსური მაგნიტომეტრული და ბმრ შესწავლა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ გრანულების ზომა მერყეობს 100-150 ნმ დიაპაზონში. მაგნიტომეტრული გაზომვები, რომელიც ჩატარდა ნულოვანი გაციების მაგნიტურ ველში (ZFC) ცხადყოფს სუპერპარამაგნიტური კომპონენტის არსებობას ნანოფხვნილებში და მათ ანიზოტროპიას.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
4	G. Mamniashvili, T. Gegechkori, **T. Gavasheli,** Yu.G.Sharimanov D.Gventsadze, D. Daraselia, D. Japaridze,	“**On the origin of a stimulated domain-acoustic echo possessing the long-term memory in magnetite powders**“ Georgian Engineering news	Volume 3 2015,	ISSN: 1512-0287 Tbilisi	pp. 15-22 (8 გვერდი)

ანოტაცია ქართულ ენაზე

სტიმულირებული დომენო-აკუსტიკური ექო, რომელიც ხასიათდება დიდი დროითი მახსოვრობით და მაგნიტოაკუსტიკური თვისებებით, ინდუქტიურად აღიგზნება მაგნეტიტში იმპულსური ბირთვული მაგნიტური რეზონანსის (ბმრ) მეთოდით და ინდუქტიურად ჩაიწერება (რეგისტრირდება) სიგნალის სახით. შესწავლილია ამ სიგნალის თვისებები. დომენო აკუსტიკური ექო სიგნალის ინტენსივობის შედარება, დამაგნიტებების გარეშე მაგნიტურ ველზე დამოკიდებულებების შესწავლა გვიჩვენებს, რომ დომენო-აკუსტიკური ექოს დიდი დროითი მახსოვრობა გამოწვეულია მრავალდომენიანი მაგნიტური მარცვლების დამაგნიტების შეუქცევადი ცვლილებით, რაც თავის მხრივ უკავშირდება აკუსტიკური რხევების ზემოქმედებით გამოწვეული მაგნიტოსტრიქციას.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
5	K. Tavzarashvili, **G. Ghvedashvili**, G. Kajaia, T.Gogua, N. Tkeshelashvili	3D Optical Nano-Antenna; Proceedings 2015 XXth International Seminar/Workshop on Direct and Inverse Problems of Electromagnetic and Acoustic Wave Theory (DIPED-2015), 2015, September 21-24.	IEEE Catalog Number: CFP15458-PRT ISBN (IEEE): 978-966-02-7541-6	LLviv, Ukraine	pp. 102-105 (4 გვერდი)

ანოტაცია ქართულ ენაზე

ოპტიკური ნანო-ანტენები საკმაოდ მიმზიდველია თანამედროვე მოწყობილობებში; მაგალითად, მაღალი სიმკვირივის ინტეგრალური სქემების, საინფორმაციო ტექნოლოგიების და ბიო-სამედიცინო ხელსაწყოების მომავალი გაუმჯობესებისთვის. მეორეს მხრივ, პლაზმონური სტრუქტურების კომპიუტერული მოდელირება ფრიად მოთხოვნადია და ამავდროულად საჭიროებს დიდ რესურსს კომპიუტერული მეხსირებისა და დროის თვალსაზრისით, რაც ძალზედ მნიშვნელოვანს ხდის ელექტრომაგნიტური ველის გამოთვლისთვის შესაფერისი (მოქნილი და საიმედო)

რიცხვითი მეთოდის შერჩევას. ოპტიკური ნანოსტრუქტურების მოდელირება, რომლებიც კომპოზიციური მეტამასალებისგან შედგებიან საჭიროებს მაღალი სიზუსტის რიცხვით ექსპერიმენტებს, ვინაიდან ადგილი აქვს ძლიერ დისპერსიას, ასევე პლაზმონ-პოლარიტონულ ეფექტს. ნაშრომში წარმოდგენილია პლაზმონური ნანო-ანტენების სამგანზომილებიანი მოდელირების ახალი კონცეფცია, დაფუძნებული დამხმარე გამომსხივებლების მეთოდზე.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ-ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
6	**T. Gavasheli,** G. Mamniashvili	„Improving of photocatalytic properties of TiO2 nanopowders and their potential applications“ Proceedings 2015 The 34th ISTC-Korea Workshop 2015 on Titanium materials and their manufacturing technology, 26-27 November, 2015 South Korea, Busan	"TITECHCONF 2015"	South Korea, Busan Pusan National University	11 p.87-97

ანოტაცია ქართულ ენაზე

მოხსენებაში წარმოდგენილი იყო TiO_2 ნანოფხვნილის შთანთქმის სპექტრის შეცვლის შესაძლებლობები მზის ენერგიის უფრო ეფექტურად გამოყენების მიზნით. აღნიშნული ამოცანის გადაჭრის გზად განიხილებოდა - ულტრაიისფერი გამოსხივების შთანთქმის გაზრდა და კატალიზაციის პროცესში სპქტრის ხილული უბნის ჩართვა. ამისათვის გამოყენებულ იქნა ამავე სამეცნიერო ჯგუფის მიერ შემუშავებული TiO_2 ნანოფხვნილების უფრო მცირე ზომის Ni-B и Co-B კლასტერებით დაფარვის დაბალტემპერატურული (50^0-60^0)C ნანოტექნოლოგია, რომლის გამოყენებაც აუმჯობესებს სინათლის შთანთქმას სპექტრის ულტრაიისფერ ნაწილში.

ასევე დადგენილია, რომ ნანოკლასტერებით დაფარული ფხვნილების თერმული დამუშავება იწვევს შთანთქმის სპექტრის ინტენსივობის მაქსიმუმის წანაცვლებას სპექტრის ხილული ნაწილისაკენ, მაშინ როცა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ შთანთქმის სპექტრი არადაფარული ნანოფხვნილებისათვის თერმული დამუშავებისას უცვლელია.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
7	I. M. Petoev, V. A. Tabatadze, **D. G. Kakulia,** R. S. Zaridze..	“Method of auxiliary sources applied to thin plates and open surfaces“Journal of Communications Technology and Electronics	April 2015, Volume 60, Issue 4,	Springer	9
ანოტაცია - ამ სტატიაში წარმოდგენილია დამხმარე გამომსხივებლების მეთოდის ეფექტურობის შესწავლის შედეგები, გამოკვლეული უსასრულოდ თხელი და იდეალურად გამტარ ღია ზედაპირებზე ელექტრომაგნიტური ტალღის დიფრაქციის ამოცანებზე. განხილულია ბრტყელი, გოფრირებული, ნახევარსფეროსებრი და ნახევრად ღია ზედაპირები. განხილულია რიცხვითი განხორციელების დეტალები, რომელიც საშუალებას იძლევა განსაზღვროს ინდუცირებული დენები ღია ზედაპირის ორივე მხარეს. დამხმარე გამომსხივებლების მეთოდით მიღებული რიცხვითი შედეგები შედარებულია მომენტების მეთოდით მიღებულ რიცხვით შედეგებთან. ნაჩვენებია, რომ დამხმარე გამომსხივებლების მეთოდს აქვს გარკვეული უპირატესობები სხვა მეთოდებთან შედარებით, არის ეფექტური და საიმედო მსგავსი ამოცანების ამოსახსნელად. ეს დასტურდება რიცხვითი შედეგების ექსპერიმენტების მონაცემებთან შედარებებით.					
8	**D. Kakulia**, A. Tavkhelidze, V. Gogoberidze, M. Mebonia,.	“Density of Quantum States in Quasi-1D layers”.Physica E: Low-dimensional Systems and Nanostructures.	(Available online 27 November 2015 In Press, Accepted Manuscript)	Springer	12
ანოტაცია - ცოტა ხნის წინ, ახალი კვანტური ეფექტები იქნა შესწავლილი თხელი ნანომესერულ ფენებში. ნანომესერულ ზედაპირი ადებს დამატებით სასაზღვრო პირობებს ელექტრონის ტალღურ ფუნქციას და ამცირებს მდგომარეობების სიმკვრივეს (DOS). როდესაც ნანომესრის ზომები ახლოსა დებროპილის სიგრძესთან, კვანტური მდგომარეობების სიმკვრივის შემცირება მნიშვნელოვანია და იწვევს ცვლილებებს ფენის თვისებებში. კვანტური მდგომარეობების სიმკვრივის გათვლებით საკმაოდ რთულია და დაკავშირებულია კვანტური ბილიარდის პრობლემასთან. ასეთი გამოთვლების შესრულება მოითხოვს დროს დამოუკიდებელი შრედინგერის განტოლების ამონახსნების პოვნას დირიხლეს სასაზღვრო პირობებით. აქ, ჩვენ ვიყენებთ რიცხვით მეთოდს, კერძოდ დამხმარე გამომსხივებლების მეთოდს, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს რიცხვითი გამოთვლებთან დაკავშირებულ რესურსების გამოყენებას სხვა მეთოდებთან შედარებით. ჩვენ ვიპოვეთ პირველი ხუთი ნანომესრის ფენის საკუთარი ფუნქცია და შევადარეთ ისინი უბრალო ფენის საკუთარ ფუნქციებთან კორელაციური კოეფიციენტების გამოთვლით. გარდა ამისა, რიცხვითი მონაცემები გამოყენებულ იქნა კვანტური მდგომარეობების სიმკვრივის შემცირების ანალიზში. 4.1 განყოფილებაში ნაჩვენებია ნანომესერი ინტეგრალური კვანტური მდგომარეობის სიმკვრივის შემცირებით, რაც შედეგად განსაზღვრავს კონკრეტული კვანტური მდგომარების ოკუპაციის ალბათობის შემცირებას. კვანტური მდგომარების სიმკვრივის ეს შემცირება იწვევს ელექტრონული თვისებების მნიშვნელოვან					

ცვლილებებს.					
9	I. M. Petoev, V. A. Tabatadze, **D. G. Kakulia,** R. S. Zaridze	PLANE WAVE DIFFRACTION BY THE MULTILAYER STRUCTURE OF THE INFINITE 2D PERIODIC LATTICES JOURNAL OF APPLIED ELECTROMAGNETISM(JAE),	VOL. 17, NO.2, 2015.	Greece	12
ანოტაცია-შესწავლილია ბრტყელი ელექტრომაგნიტური ტალღის დიფრაქციის ამოცანა მრავალშრიანი პერიოდული გისოსებისგან შემდგარ 2 უსასრულო სტრუქტურაზე. ძირითადი მიზანია სისტემის პარამეტრების პარამეტრების გამოკვლევა, როდესაც მას აქვს მეტამასალების თვისებები - მრავალი რეზონანსის შედეგად. უჯრედის ელემენტს წარმოადგენს გამტარ მავთულს მცირე ელექტრული რადიუსით. განხილულია ის შემთხვევები, როდესაც ეს სტრუქტურა მოთავსებულია დიელექტრიკული ფენის შიგნით და ასევე თავისუფალ სივრცეში. გამოყენებულია დამხმარე გამომსხივებლების მეთოდი (MAS). რამდენიმე რეზონანსული ფენებს შორის ურთიერთქმედება აძლიერებს მეტამასალურ თვისებებს.					

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნა-ლის/კრებუ-ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
10	Stigliano, Robert; Dartmouth College, Thayer Schoold of Engineering **Shubitidze, Fridon; Dartmouth College, Thayer School of Engineering** Petryk, Jim; Dartmouth Medical School , Department of Radiation Oncology **Shoshiashvili, Levan; Tbilisi State University, Dept. of Electronics and Electrical Engineering,Faculty of Exact**	Mitigation of eddy current heating during magnetic nanoparticle hyperthermia therapy. International journal of hyperthermia	მიღებულია გამოსაქვეყნებლად	აშშ	31

ანოტაციები ქართულ ენაზე
სტატიაში განხილულია გრიგალური დენების მიერ გამოწვეული შესაძლო ტემპერატურის მატება სიმსივნის ლოკალური ჰიპერთერმიის მკურნალობისას დატრმუტის ნანონაწილაკების გამოყენებით და მოცემულია მისი თავიდან არიდების გზები.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი / მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ლ. შოშიაშვილი	SAR and Temperature rise during magnetic nanoparticle hyperthermia therapy	STEM Workshop on Nanotechnology and Environmental Sciences, Tbilisi, Georgia, Sep. 4-6, 2015 თბილისი
მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე შესწავლილია ტემპერატურის მატება სიმსივნის ლოკალური ჰიპერთერმიის მკურნალობისას დატრმუტის ნანონაწილაკების გამოყენებით.			
№	მომხსენებელი / მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
	ლევი გეონჯიანი, მაია კალანდარიშვილი, დიმიტრი ნადირაშვილი, დავით იმნაძე, გიორგი კაპანაძე	ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის სასწავლო და კვლევითი ლაბორატორია: კონცეფცია, მიდგომები და რეალიზაციის პროექტი.	პიროვნება და საზოგადოება პსიქოლოგიის მეცნიერებაში, 2015წ, 25-26 ივნისი, წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

ანოტაცია ქართულ ენაზე

ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის სასწავლო და კვლევითი ლაბორატორიის ორგანიზაციის პროექტი განხილულია როგორც SWOT-ანალიზის ამოცანა. შეფასებულია პროექტის ძლიერი და სუსტი მხარეები ტექნიკური რეალიზაციის და სასწავლო პროცესის ორგანიზაციის თვალსაზრისით, განხილულია ლაბორატორიის განვითარების პერსპექტივა და სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული სტუდენტთა კვლევითი უნარებისა და კომპეტენციების მიღწევის რისკები. მიჩნეულია, რომ ლაბორატორულ პრაქტიკუმს აუცილებელია ახლავდეს ექსპერიმენტის ზოგადი თეორიის, ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის სპეციფიკის, მონაცემთა დამუშავების კონცეფტუალური მიდგომის, აღჭურვილობაში რეალიზებული ფიზიკური მოვლენების და ტექნიკური გადაწყვეტილებების ამსახველი ამომწურავი საინფორმაციო გარემო. თითოეული სასწავლო ლაბორატორული ამოცანა უნდა განიხილებოდეს ამ ინფორმაციის ფოკუსში. ეს ინფორმაციული გარემო უნდა ითვალისწინებდეს როგორც თითოეული ექსპერიმენტის ლაბორატორული საშუალებების განვითარების ისტორიას, აგრეთვე გამოყენებული თანამედროვე ტექნოლოგიების ყველა ასპექტს და ენციკლოპედიის ხასიათს უნდა ატარებდეს.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	K. Tavzarashvili, **G. Ghvedashvili**	3D Optical Nano-Antenna	XXth International Seminar/Workshop on Direct and Inverse Problems of Electromagnetic and Acoustic Wave Theory (DIPED-2015), 2015, September 21-24, Lviv, Ukraine.

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

ოპტიკური ნანო-ანტენები საკმაოდ მიმზიდველია თანამედროვე მოწყობილობებში; მაგალითად, მაღალი სიმკვირივის ინტეგრალური სქემების, საინფორმაციო ტექნოლოგიების და ბიო-სამედიცინო ხელსაწყოების მომავალი გაუმჯობესებისთვის. მეორეს მხრივ, პლაზმონური სტრუქტურების კომპიუტერული მოდელირება ფრიად მოთხოვნადია და ამავდროულად საჭიროებს დიდ რესურსს კომპიუტერული მეხსიერებისა და დროის თვალსაზრისით, რაც ძალზედ მნიშვნელოვანს ხდის ელექტრომაგნიტური ველის გამოთვლისთვის შესაფერისი (მოქნილი და საიმედო) რიცხვითი მეთოდის შერჩევას.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნა პლაზმონური ნანო-ანტენების სამგანზომილებიანი მოდელირების ახალი კონცეფცია, დაფუძნებული დამხმარე გამომსხივებლების

მეთოდზე, ასევე რიცხვითი ექსპერიმენტების შედეგები.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
2	**Ts. Gavasheli** G. Mamniashvili	"**Improving of photocatalytic properties of TiO2 nanopowders and their potential applications**"	The 34th ISTC-Korea Workshop 2015 on Titanium materials and their manufacturing technology, 26-27 November, 2015 South Korea, Busan

მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე

მოხსენებაში წარმოდგენილი იყო TiO_2 ნანოფხვნილის შთანთქმის სპექტრის შეცვლის შესაძლებლობები მზის ენერგიის უფრო ეფექტურად გამოყენების მიზნით. აღნიშნული ამოცანის გადაჭრის გზად განიხილებოდა - ულტრაიისფერი გამოსხივების შთანთქმის გაზრდა და კატალიზაციის პროცესში სპქტრის ხილული უბნის ჩართვა. ამისათვის გამოყენებულ იქნა ამავე სამეცნიერო ჯგუფის მიერ შემუშავებული TiO_2 ნანოფხვნილების უფრო მცირე ზომის Ni-B и Co-B კლასტერებით დაფარვის დაბალტემპერატურული (50^0-60^0)C ნანოტექნოლოგია, რომლის გამოყენებაც აუმჯობესებს სინათლის შთანთქმას სპექტრის ულტრაიისფერ ნაწილში.

ასევე დადგენილია, რომ ნანოკლასტერებით დაფარული ფხვნილების თერმული დამუშავება იწვევს შთანთქმის სპექტრის ინტენსივობის მაქსიმუმის წანაცვლებას სპექტრის ხილული ნაწილისაკენ, მაშინ როცა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ შთანთქმის სპექტრი არადაფარული ნანოფხვნილებისათვის თერმული დამუშავებისას უცვლელია.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1				
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

IV. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1				
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

გეოგრაფიის დეპარტამენტი

საქართველოს გეოგრაფიისა და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრა

- ✓ კათედრის გამგე, პროფ. ნოდარ ელიზბარაშვილი
- ✓ კათედრის აკადემიური პერსონალი: ასოც. პროფ. გიორგი მელაძე, ასოც. პროფ. მარიამ ელიზბარაშვილი, ასოც.პროფ. რობერტ მაღლაკელიძე

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	2014 - 2016 წწ. - საქალაქო აგლომერაციის ლანდშაფტური დაგეგმარების მეთოდოლოგია (თბილის-რუსთავის მაგალითზე) - გეოგრაფია, ლანდშაფტური დაგეგმარება	რუსთაველის ფონდი	პროფ. ნ. ელიზბარაშვილი	ნ.ელიზბარაშვილი, გ. მელაძე
პროექტი დასრულდება 2016 წელს განსაზღვრულ იქნა ქ.თბილისის და ქ.რუსთავის საქალაქო აგლომერაციის ინტეგრირებული კონფლიქტები რელიეფის, მცენარეულობის, ნიადაგების, კლიმატის და სხვა მახასიათებლების მიხედვით. შედგენილ იქნა ქ.თბილისის და ქ.რუსთავის საქალაქო აგლომერაციის ინტეგრირებული კონფლიქტების გის-ის და 2 ათეულამდე სხვადასხვა დასახელების რუკა. შესწავლილ იქნა ქ.თბილისის და ქ.რუსთავის საქალაქო აგლომერაციის ლანდშაფტები და დემოგეოგრაფიული ვითარება როგორც თანამედროვე, ისე გასული პერიოდის მიხედვით.				

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	მოსახლეობის დამოკიდებულება ეკოლოგიური პრობლემების	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	მარიამ ელიზბარაშვილი	მარიამ ელიზბარაშვილი, იზოლდა ჭინჭარაშვილი

	მიმართ და სასმელი წყლის ხარისხის კვლევა ქალაქ თელავში			
2	მოსახლეობის დამოკიდებულება ეკოლოგიური პრობლემების მიმართ (მესტიის მუნიციპალიტეტის მაგალითზე)	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროგრამა	მარიამ ელიზბარაშვილი	მარიამ ელიზბარაშვილი კახაბერ ბილაშვილი, თენგიზ გორდეზიანი, თამარ ხარძიანი, მარიკა ბასილაძე, თეა მუკბანიანი, მარიამ გაგოშაშვილი, მარიამ სიჭინავა, თამარ ხუნწელია, ნათია ქვრივიშვილი

დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

ქ. თელავში უკანასკნელ წლებში აღინიშნება კლიმატის ცვლილებით და მასთან დაკავშირებული ამინდისა და კლიმატის ექსტრემალური მოვლენებით გამოწვეული ზარალი: ვენახის, ნათესების, მარავალწლიური ნარგავების, შენობა ნაგებობების და კავშირგაბმულობის დაზიანება. აქ ასევე გარკვეული რისკი არსებობს ღვარცოფული ნაკადისა (რამაც ამ სამი ათეული წლის წინ მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა ქალაქ თელავს), თელავში ეკოლოგიურ პრობლემებს შორის მნიშვნელოვანია ასევე ქალაქის დაბინძურება და სასმელი წყლის პრობლემა. ეკოლოგიური პრობლემის გადაჭრის მცდელობისას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია: მოსახლეობი ინფორმირებულობა და გათვითცნობიერებულობა ეკოლოგიური პრობლემების პოტენციური ზემოქმედების შესახებ მათ ყოველდღიურ ცხოვრებზე, ასევე მოსახლეობის როლის გააზრება გარემოს დაცვის საკითხებში, მათი მონაწილეობის მნიშვნელობა გარეოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში და დაგეგმვის სისტემაში. ამ კონტექსტში შესწავლილ იქნა ქ.თელავის მოსახლეობის დმოკიდებულება ეკოლოგიური პრობლემების მიმართ ანკეტური გამოკითხვის საფუძველზე. სტატისტიკური ანალიზისათვის გამოყენებული იქნა შ შშ პაკეტი. კვლევის შედეგად გაანალიზდა ადამიანისა და გარემოს ურთიერთდამოკიდებულების შემდეგი ასპექტები: ზოგადი დამოკიდებულება გარემოს მიმართ: პირველი ასოციაცია და რა არი მათთვის მთავარი ეკოლოგიური საზრუნავი. პირადი ურთიერთობა გარემოსთან: რამდენად მნიშვნელოვანია გარემო თელაველებისათვის, როგორ ზემოქმედებს გარემო მოსახლეობაზე; ეკოლოგიურ პრობლემებს აქვს თუ არა მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე ზემოქმედება. მოსაზრებები გარემოსდაცვით პოლიტიკაზე: ასებობს თუ არა მოსახლეობაში საქართველოს გარემოსდაცვითი პოლიტიკისადმი მხარდაჭერა. ინფორმირებულობა ეკოლოგიური პრობლემების შესახებ: განცდა, რომ მოსახლეობა ინფორმირებულია, ინფორმაციის წყაროები. მიღებული შედეგები გაანალიზდა გენდერულ და ასაკობრივ ჭრილში. პროექტის ფარგლებში ასევე ჩატარდა თელავში არსებულის წყაროების (მოსახლეობა სასმელად იყენებს თელავში არსებულ წყაროებს) ძირითადი პარამეტრების გამოკვლევა, მობილური ხელსაწყოებით - შენსიონ 5 და პ მეტრ 98103.

კვლევის მიზანი იყო საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული და საინტერესო მთიანი რეგიონის – მესტიის მუნიციპალიტეტის, ზემო სვანეთის მოსახლეობის დამოკიდებულების შესწავლა/წარმოჩენა ეკოლოგიური პრობლემების მიმართ რეგიონის განვითარების კონტექსტში. შედგა კითხვარები მესტიის მუნიციპალიტეტის თავისებურებების გათვალისწინებით. განისაზღვრა გამოსაკითხ რესპოდენტთა რაოდენობა. ჩატარდა მესტიის მუნიციპალიტეტის ანკეტური გამოკითხვა. ანკეტური გამოკითხვის შედეგების სტატისტიკური

ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა შ შშ პაკეტი. კვლევის შედეგების საფუძველზე აგებულია რუკები გეოინფორმაციული სისტემების გამოყენებით. პროექტის ძირითადი შედეგია რუკების სახით წარმოდგენილი თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის მონაცემების ანალიზი, რომელიც წარმოაჩენს მოსახლეობის დამოკიდებულებას და ქცევებს გარემოს მიმართ. კერძოდ დადგინდა როგორც მთლიანად მესტიის მუნიციპალიტეტის ასევე თვითეული თემის მოსახლეობისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ეკოლოგიური პრობლემები, თუ რა დამოკიდებულება აქვს მოსახლობას ხუდონჰესის და თეთნულდის სათხილამურო ტრასის მშენებლობის მიმართ, ტურიზმის მზარდი რაოდენობის მიმართ, მიაჩნიათ თუ არა რომ ეკოლოგიური პრობლემები გავლენას ახდენს მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე, თუ რამდენად ინფორმირებულები არიან ეკოლოგიური პრობლემების მიმართ, რა წყაროებიდან ღებულობენ ეკოლოგიურ პრობლემების შესახებ ინფორმაციას, ვის ენდობიან ყველაზე მეტად გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით, აქვთ თუ არა ინფორმაცია საქართველოს გარემოსდაცვით პოლიტიკაზე, შეუძლიათ თუ არა რაიმე წვლილი შეიტანონ გარემოდაცვაში, თუ რა მიაჩნიათ ეკოლოგიური პრობლემების მოგვარების ყველაზე მნიშვნელოვან ქმედებად/ღონისძიებად, გატარებულა თუ არა რაიმე გარემოსდაცვითი ღონისძიება უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში. შედეგები გაანალიზდა გენდერულ და ასაკობრივ ჭრილში. მიღებული შედეგები უმნიშვნელოვანესია როგორც რეგიონის მდგრადი განვითარების სტრატეგიის შემუშავებისთვის და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისათვის, ასევე მსოფლიოსთვის, როგორც ერთ-ერთი მაგალითი მაღალმთიანი რეგიონის მოსახლეობისა და გარემოს ურთიერთდამოკიდებულების.

	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნ. ელიზბარაშვილი	მცხეთის ისტორიული ლანდშაფტის დაგეგმარება	თბილისი, "უნივერსალი"	119
✓	მონოგრაფიაში „მცხეთის ისტორიული ლანდშაფტის დაგეგმარება" განხილულია: მცხეთის ისტორიული ლანდშაფტის გეოგრაფიული და ეკოლოგიური თავისებურებანი; მისი ბუნებრივი, ისტორიული და კულტურული ფასეულობების სივრცითი ფონი; მცხეთის ბუნებრივი და ისტორიული გარემოს სამართლებრივი			

რეგულაციები; მცხეთის ლანდშაფტური დაგეგმარების შედეგები და მისი გამოყენების პერსპექტივები. წიგნი განკუთვნილია ისტორიული ლანდშაფტის კვლევით და ტერიტორიული დაგეგმარებით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისთვის.

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნ. ელიზბარაშვილი (გ.მელაძის თანაავტორობით).	თბილისის ლანდშაფტური მრავალფეროვნება და გეოეკოლოგიური მახასიათებლები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის: გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება		- თბ., თსუ	გვ. 149-152.
2	ნ. ელიზბარაშვილი და სხვ.	თბილისის გეოეკოლოგიური პრობლემები და ლანდშაფტური დაგეგმარების ძირითადი პრინციპები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში: გეოგრაფიის და ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები.		-თბ., თსუ	გვ. 101-107.
3					

ანოტაციები ქართულ ენაზე

II. 2. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Elizbarashvili N., Seperteladze Z., Elizbarashvili R.	Basic characteris-tics of stability of Mountain Lands-capes of Georgia. Proceedings of the FG-SHU Interna-tional Symposium on Geography: Landscapes: Perception, Knowledge,	Volume 4,	In: Geopolitics, History, and International Relations, Addleton Academics Publishers, New York, U.S.A.	pp. 65-73

2	Elizbarashvili N.,	Awareness and Action. Geo ecological functions of Georgia s Landscapes and actual problems of Landscape ecology.	Vol. 4, No. 2	In proceedings of international conference: "Applied ecology: Problems, Innovations". American Journal of Environmental Protection, USA	pp. 75-82, pp. 1-7
3	N, Elizbarashvili, G, Meladze, M.Meladze, D, Svanadze, L. Gadrani, J. Lazarashvili	Some Urgent Issues of Georgia's Geography,	Vol. 4, No. 5-1,	Earth Sciences. Special Issue: Modern Problems of Geography and Anthropology. USA	pp. 1 – 15
4.	N. Elizbarashvili.	Topical Issues of Landscape Geography.	Vol. 1,	In: Geography of Mountain Regions. (www.caucasus-jour.ge),	6
5	გ.ხომერიკი გ.მელაძე	საქართველოში ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების რესურსები და საფრთხეები	N4 (3-1)	http://www.sciencepublishinggroup.com/specialissue/163003, American Journal of Environmental Protection	

ანოტაციები ქართულ ენაზე

სტატიაში განხილულია საქართველოს გეოგრაფიის აქტუალური საკითხები, როგორიცაა მიწათსარგებლობის ახალ ორიენტაცია და რეგიონების ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ოპტიმალური გამოყენება, დემოგრაფიული სტაბილურობა და მთიანი ტერიტორიების განვითარება. ქვეყნის განვითარების პერსპექტივებს უკავშირდება ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა გლობალური ეკოლოგიური პრობლემები და გეოსისტემათა მდგომარეობების პროგნოზირება, სამხედრო გეოგრაფიის განვითარება და ეკოლოგიურად დაძაბული ტერიტორიების ლანდშაფტური დაგეგმარება.

სტატიაში განხილულია საქართველოში ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების პერსპექტივებისა და არსებული საფრთხეების პრობლემები. სათანადო

სტატისტიკური და სამეცნიერო ლიტერატურის, აგრეთვე ექსპედიციაში მოპოვებული მასალების საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები ქვეყანაში აღნიშნული ტიპის ტურიზმის განვითარების მიზანშეწონლობის შესახებ. აღნიშნულია საქართველოში ეკოლოგიური ტურიზმის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
6.	E.Sh.Elizbarashvili, M. E. Elizbarashvili, N.B.Kutaladze, I.Keggenhoff, B.M.Kikvadze, N.M.Gogia ე.ელიზბარაშვილი, მ.ელიზბარაშვილი, ნ.კუტალაძე, ი.კიხენგოფი, ვ.კიკვაძე, ნ.გოგოა	Geography and dynamics of some temperature indices for assessing the climate change in Georgia /Russian Meteorology and Hydrology ზოგიაერთი ტემპერატურული ინდექსის გეოგრაფია და დინამიკა საქართველოში/რუსეთის მეტეოროლოგია და ჰიდროლოგია	Vol.40, Is.1 2015 ტომი 40, №1	USA, Springer აშშ "შპრინგერი"	39-45
7.	Elizbar.Sh.Elizbarashvili,Mariam E. Elizbarashvili Ekaterina G. Khutsishvili Cira J. Kamadadze Nana Z. Chelidze ე.ელიზბარაშვილი, მ.ელიზბარაშვილი, ე.ხუციშვილი, ც.ქამადაძე ნ.ჭელიძე,	The Potential of Georgia's Climatic Resources,/ European Geographical Studies საქართველოს კლიმატური რესურსების პოტენციალი/ ევროპული გეოგრაფიული კვლევები	Vol.(5), Is. 1, 2015, ტომი 5, №1	Sochi, Russia, Academic Publishing House *Researcher* რუსეთი, სოჭი	4-10
8.	Elizbar Sh. Elizbarashvili, Mariam E. Elizbarashvili, Nana Z. Chelidze, Cira J. Kamadadze ე.ელიზბარაშვილი, მ.ელიზბარაშვილი, ნ.ჭელიძე, ც.ქამადაძე	The Climate of Soils in Adjara,/ European Geographical Studies აჭარის ნიადაგების კლიმატი/ევროპული გეოგრაფიული კვლევები	Vol.(7), Is.3, 2015 ტომი 7, №3	Sochi, Russia, Academic Publishing House *Researcher* რუსეთი, სოჭი	114-127
9.	Ina Keggenhoff, Mariam Elizbarashvili, Lorenz King ინა კეგენჰოფი, მარიამ ელიზბარაშვილი, ლორენც კინგი	Recent changes in Georgia's temperature means and extremes: Annual and seasonal trends between 1961 and 2010, /Weather and Climate Extremes	Volume 8, ტომი 8, 2015	Elsevier	34–45

		საშუალო და ექსტრემალური ტემპერატურების თანამედროვე ცვლილება საქართველოში: წლიური და სეზონური ტრენდები 1961-2010 წწ./ ამინდისა და კლიმატის ექსტრემალური მოვლენები			

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. გამოკვლეულია ტემპერატურული ინდექსები – ექსტრემალური ტემპერატურები, ყინვიანი, ცივი და ცხელი დღეები, ტროპიკული ღამეები და ტემპერატურის განაწილებათა პროცენტილები. შედგენილია მათი გეოინფორმაციული რუკები და გამოკვლეულია აღნიშნული ინდექსების დინამიკა გლობალური დათბობის პირობებში. განსაზღვრულია ინდექსების საშუალო მნიშვნელობები სხვადასხვა დროითი ინტერვალებისათვის.
2. პეტერბურგის მთავარ გეოფიზიკურ ობსერვატორიაში ნ.კობიშევას ხელმძღვანელობით დამუშავებული კლიმატური რესურსების რაოდენობრივი შეფასების მეთოდის საფუძველზე შეფასებულია საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული ოლქების და ადმინისტრავიული მხარეების პოტენციალური აგროკლიმატური, ენერგეტიკული და საკურორტო კლიმატური რესურსები.
3. განხილულია აჭარის ნიადაგების კლიმატური რეჟიმი. გამოკვლეულია ნიადაგების გათბობის კოეფიციენტი, სისტემა მიადაგი-ჰაერის სითბოცვლის თავისებურებები, ნიადაგის ტიპის და ადგილის სიმაღლის გავლენა ტემპერატურაზე, სითბოს გავრცელების კანონზომიერებანი ნიადაგების ქვედა და სიღრმით ფენებში, ნიადაგების წყლის რეჟიმი. ჩატარებულია აჭარის ნიადაგების კლიმატური დარაიონება.
4. შესწავლილია ჰაერის საშულო და ექსტრემალური ტემპერატურების სეზონური და წლიური ცვლილებების თავისებურებანი 1961-2010 წლებისათვის. კლიმატის ცვლილების ინდექსებიდან შერჩეულია და გაანალიზებულია 8 კლიმატის ცვლილების ინდექსის ცვლილების თვისებურებანი.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნ.ელიზბარაშვილი, თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მესამე სამეცნიერო კონფერენცია.	საქართველოს მთიანი ტერიტორიების გეოგრაფიის აქტუალური საკითხები.	2015 წ. თებერვალი – (თბილისი)
2	ნ.ელიზბარაშვილი, თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მესამე სამეცნიერო კონფერენცია.	ქართული გეოგრაფიული სკოლა: თანამედროვე გამოწვევები.	2015 წ. თებერვალი – (თბილისი)

3	ნ.ელიზბარაშვილი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები.	თბილისის გეოეკოლოგიური პრობლემები და ლანდ-შაფტური დაგეგმარების ძირითადი პრინციპები.	2015 წ. ოქტომბერი (თბილისი)
4	ნ.ელიზბარაშვილი, გ.მელაძე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია (თბილისი) : გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება.	თბილისის ლანდშაფტური მრავალფეროვნება და გეოეკოლოგიური მახასიათებლები.	2015 წ. ნოემბერი - (თბილისი)
5	ნ.ელიზბარაშვილი, სამეცნიერო კონფერენცია (თსუ, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება) - „გეოგრაფიის თანამედროვე პრობლემები“	თბილისის ლანდშაფტური დაგეგმარების აქტუალური საკითხები	2015 წ. დეკემბერი - (თბილისი)
6	გ.მელაძე	სქესთა მეორეული თანაფარდობის ასპექტები საქართველოში	2-7 თებერვალი, 2015. თსუ
7	გ.მელაძე, ბ.მაჩიტაძე	იმერეთის რეგიონის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა	22-23 ოქტომბერი, 2015. თსუ

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1990-იანი წლების პირველი ნახევრიდან საქართველოში დარღვეულია სქესთა მეორეული თანაფარდობა. 2008 წელს აღნიშნულმა თანაფარდობამ უპრეცედენტო ნიშნულს 128-ს მიაღწია. უკანასკნელ წლებში (2011-2013 წწ.) მიუხედავად მისი ერთგვარი კლებისა, იგი კვლავ აღემატება 107-ს. გამოკვლევების შედეგად აღნიშნული პრობლემის მიზეზად სპეციალისტები სელექციურ აბორტებს, აგრეთვე 1990-იანი წლებიდან რეგიონში მიმდინარე ლოკალურ ომებსა და მუდმივი შიშის მდგომარეობას მიიჩნევენ. არსებობს პრობლემის ახსნის სხვა ვერსიებიც. ფაქტია, რომ განხილული პრობლემა სპეციალურ კომპლექსურ კვლევა-ძიებეს საჭიროებს.

განხილულია იმერეთის რეგიონის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები: შობადობა, მოკვდაობა, ბუნებრივი მატება. გაკეთებულია დასკვნა განხილულ რეგიონში არსებული დემოგრაფიული ვითარების დარეგულირების მიზნით, მიზანშეწონილია გრძელვადიანი პრონატალისტური ფართომასშტაბიანი დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება, რომელიც რეგიონის დემოგრაფიული განვითარების ყველა ასპექტს მოიცავს. წინააღმდეგ შემთხვევაში რეგიონში მოსალოდნელია დემოგრაფიული ვითარების კიდევ უფრო გაუარესება, რაც უპირველეს ყოვლისა მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურის დაბერებაში აისახება. აღნიშნულ სტრუქტურაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული როგორც რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური, ასევე დემოგრაფიული განვითარების პერსპექტივები.

განხილულია თბილისის ეკოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებული საკითხები. წარმოდგენილია ქალაქის ფარგლებში 8 ლანდშაფტური ერთეული. ხაზგასმულია, რომ თბილისში განსაკუთრებით რთული ეკოლოგიური ვითარება შეიქმნა მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულში, როდესაც ენერგეტიკულ კრიზისს დედაქალაქისა და მისი მიდამოების მწვანე საფარის დეგრადაცია მოჰყვა შედეგად. ამჟამად ტრანსფორმაციას განიცდის დასავლეთის და ჩრდილოეთის ისედაც დეგრადირებული ლანდშაფტების მნიშვნელოვანი ნაწილი, რასაც საქალაქო განაშენიანების ზრდა განაპირობებს.

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Ina Keggenhoff, Mariam Elizbarashvili, Lorenz King ინა კეგენჰოფი, მარიამ ელიზბარაშვილი, ლორენც კინგი	საერთაშორისო კონფერენცია - „გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები". Summer Heat Waves over Georgia between 1961 and 2010: Climatology, Change and Large-Scale Patterns/ ზაფხულის სითბური ტალღები საქართველოში 1961-2010 წლებს შორის: კლიმატოლოგია, ცვლილებები და მსხვილმაშტაბიანი თვისებები	22-23 ოქტომბერი, 2015 თსუ, გეოგრაფიული საზოგადება, გეოგრაფიის ინსტიტუტი
2	მარიამ ელიზბარაშვილი, იზოლდა ჭინჭარაშვილი, ნატა ჭაუტიძე	საერთაშორისო კონფერენცია - „გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები". ქალაქ თელავის მოსახლეობის დამოკიდებულება ეკოლოგიური პრობლემების მიმართ	22-23 ოქტომბერი, 2015 თსუ, გეოგრაფიული საზოგადება, გეოგრაფიის ინსტიტუტი
3	მარიამ ელიზბარაშვილი, თეა მუკბანიანი, თამარ ხარძიანი, რომან მაისურაძე, თენგიზ გორდეზიანი, კახაბერ ბილაშვილი, მარიამ გაგოშაშვილი, მარიკა ბასილაძე, თამარ ხუნწელია, მარიამ სიჭინავა, ნათია ქვრივიშვილი, ნანა მაჭავარიანი	მე-19 სამეცნიერო კონფერენცია გეოგრაფიის თანამედროვე პრობლემები/ მესტიის მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური პრობლემები	19 დეკემბერი, 2015 წ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე
1. შესწავლილია სითბური ტალღების გავრცელება, მათი ცვლილების თავისებურებანი: დაბალი, მაღალი ინტენსივობის სითბური ტალღების რაოდენობის, ინტესივობისა და ხანგრძლივობის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნება საქართველოს ტერიტორიაზე. ყველაზე ხანგრძლივი და ყველაზე ხშირი სითბური ტალღების მოვლენები აღინიშნება სამხრეთ საქართველოში.
2. შესწავლილია ქალაქ თელავის მოსახლეობის დამოკიდებულება ეკოლოგიური პრობლემების მიმართ, ანკეტური გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე. სტატისტკური ანალიზისათვის გამოყენებული იქნა SPSS პაკეტი, გამოვლენილია მოსახლეობის ზოგადი დამოკიდებულება გარემოს მიმართ, პირველი ასოცოაცია და თუ რა არის მათთვის მთავარი ეკოლოგიური საზრუნავი.
3. შესწავლილ იქნა საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული და საინტერესო მთიანი რეგიონის – მესტიის მუნიციპალიტეტის, ზემო სვანეთის მოსახლეობის დამოკიდებულება ეკოლოგიური პრობლემების მიმართ. დადგინდა მესტიის მუნუციპალიტეტის მოსახლეობისთვის უმნიშვნელოვანესი ეკოლოგიური პრობლემები.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Э. Ш .Элизбарашвили, Э.Г.Хуцишвили М.Э.Элизбарашвили, З.Б.Чавчанидзе ე.ელიზბარაშვილი, მ.ხუციშვილი, მ.ელიზბარაშვილი, ზ.ჭავჭანიძე	КЛИМАТИЧЕСКИЕ РЕСУРСЫ ГРУЗИИ И ПЕРСПЕКТИВЫ ИХ РАЦИОНАЛЬНОГО ИСПОЛЬЗОВАНИЯ საქართველოს კლიმატური რესურსები და მათი რაციონალურად გამოყენების პერსპექტივები	ЕРЕВАН 2015, სომხეთი, ერევანი
მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე			
1. შეფასებულია საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული ოლქების კლიმატური რესურსები. ყველაზე მდიდარი რესურსებით გამოირჩევა კოლხეთი და მთავარი კავკასიონი. პირველის ძირითად სიმდიდრეს წარმოადგენს საკურორტო, აგროკლიმატური და ჰიდროენერგეტიკული რესურსები, ხოლო მეორესთვის- საკურორტო, ჰიდრო- და მზის ენერგეტიკული რესურსები. შემდეგ მოდის ივერიის ოლქი, სადაც პერსპექტიულია აგროკლიმატური, ბალნეოლოგიური, მზის და ქარის რესურსების გამოყენება. სამხრეთ-საქართველოს მთიანეთისათვის ძირითადი მარაგი მოდის ენერგეტიკულ კლიმატურ რესურსებზე, მათ შორის უპირველეს ყოვლისა მზის ენერგიაზე. პერსპექტიულია აგრეთვე ქარის და ჰიდროენერგეტიკული რესურსები.			

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი

	მიმართულების მითითებით			გრანტი, უცხოური გრანტი)
1	შავი ზღვის ქსელის შექმნა ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის ბულგარეთში, რუმინეთში, უკრაინაში, მოლდოვასა და საქართველოში. ტურიზმი	კ.ბილაშვილი	კ.ბილაშვილი, გ.მელაძე, ნ.პავლიაშვილი, ი.სალუქვაძე, ვ.მელიქიძე, ვ.ტრაპაიძე	
პროექტის ფარგლებში შესწავლილ იქნა აჭარის ტურისტული პოტენციალი, პარტნიორებისადმი შეთავაზებულ იქნა სხვადასხვა სახის (შემეცნებითი, ისტორიული, ღვინის და სხვ.) ტურები. მოეწყო გასვლითი შეხვედრები ბულგარეთში, რუმინეთში, მოლდოვაში, უკრაინაში და საქართველოში. სამუშაო შეხვედრებზე გამიხილებოდა თითოეული ქვეყნის ტურიზმთან დაკავშირებული საკითხები. მომზადდა საერთაშორისო ტურები და ვებ გვერდი რომელზედაც განთავსებულია, სრული ინფორმაცია დაინტერესებულ პირთათვის. პროექტს ხელმძღვანელობას უწევდა ვარნის (ბულგარეთი) მუნიციპალიტეტი. პროექტი წვლილს შეიტანს შავიზღვისპირეთის ქვეყნებში ტურიზმის განვითარებაში				

IV. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	2015 - 2018 წწ. - საერთაშორისო პროექტი: სასწავლო კურსის: Sustainable Mountain Development and Resource Governance - მომზადება – გეოგრაფია, მდგრადი განვითარება	პროფ. ნ. ელიზბარაშვილი	ნ.ელიზბარაშვილი გ.მელაძე	SCOPES, Bern University, Switzerland
2015 წლის ბოლოსთვის მომზადდა სასწავლო კურსის გეგმა, თემატიკა, გაიწერა ძირითადი მიმართულებები და მისი შინაარსი				

ასოც. როფ რობერტ მაღლაკელიძე

№	პროექტის დასახე-ლება მეცნიერების	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

	დარგისა და სამეც-ნიერო მიმართულე-ბის მითითებით			
1	გამოყენებითი კვლევის სახელმწიფო საგრანტო პროექტი „ტერიტორიული დაგეგმარებისათვის სამცხე-ჯავახეთის ლანდშაფტურ-ეკოლოგიური შეფასება გის-ანალიზის მეშვეობით". 2014-2016 წწ.	შოთა რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდი	დალი ნიკოლაიშვილი	რ. მაღლაკელიძე ვ. ტრაპაიძე, ბ. კალანდაძე, ლ. ლაღიძე ზ. ლაოშვილი დ.სართანია

პროექტის III და IV ტრანშის ფარგლებში ძირითაი თეორიული და პრაქტიკული შედეგებია:

- შეიქმნა სამცხე-ჯავახეთის ლანდშაფტური რუკა 1:50,000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკის საფუძველზე, რისთვისაც ასევე გამოყენებულია სხვადასხვა სამეცნიერო, კარტო-გრაფიული, სტატისტიკური, 2014-2015 წლებში პროექტის ფარგლებში ჩატარებული ექსპედიციების საველე მასალები. რუკაზე დატანილია ბტკ-ების ვერტიკალური სტრუქტურის ტიპები, რაც დაეფუძნა პროფ. ნ. ბერუჩაშვილის მიერ შემუშავებულ სივრცე-დროითი ანალიზისა და სინთეზის კონცეფციას. რუკა ელექტრონულ ფორმატშია;
- განხორციელდა რეგიონის ბუნების კომპონენტებისა და სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებელთა სივრცე-დროითი ანალიზი. შექმნილია თემატურ რუკათა სერია;
- დაწყებულია რეგიონის ლანდშაფტთა კომპიუტერული მოდელის შექმნა და შექმნილია გის-ის მონაცემთა ბაზა;
- 2015 წელს ჩატარდა ექსპედიცია ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში, რის შედეგადაც აღიწერა 60 ლანდშაფტური ნაკვეთი და განხორციელდა მოსახლეობის გამოკითხვა ტრადიციული და თანამედროვე ბუნებათსარგებლობით საკითხებზე.

ამჟამად მიმდინარეობს პროექტის დამამთავრებელ IV ტრანშზე მუშაობა (პროექტი დასრულება: 4.04.2016)

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	რობერტ მაღლაკელიძე, ნელი გოგინაშვილი,	„მარტყოფის სტაციონარის მთისწინების სტეპური ლანდშაფტების	№7	გორი. საქართველო. 2015წ.	4 გვერდი

	გიორგი მაღლაკელიძე	სამკურნალო მცენარეები“. მეშვიდე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული ”განათლება, ეკონომიკა და მდგრადი განვითარება” 28-29 ნოემბერი, 2014 წ.			
2.	რობერტ მაღლაკელიძე, ნელი გოგინაშვილი, რევაზ თოლორდავა, გიორგი მაღლაკელიძე	სამცხე-ჯავახეთის მცენარეულობისა და ცხოველთა სამყაროს გეოეკოლოგიური თავისებურებები და მათთან დაკავირებული კომფლიქტები. მერვე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული ”განათლება, ეკონომიკა და მდგრადი განვითარება” 02-03 ნოემბერი, 2015 წ. (გადაცემულია დასაბეჭდად)	№8	გორი. საქართველო	6 გვერდი
3.	რობერტ მაღლაკელიძე, გიორგი მაღლაკელიძე	სამცხე-ჯავახეთის ბიომრავალფეროვნება: ენდემური, იშვიათი და რელიქტური მცენარეები. კონფერენციის „რეგიონული განვითარების პრსპექტივები:სამცხე-ჯავახეთი” მასალები. (გადაცემულია დასაბეჭდად)		თბილისი. საქართველო	8 გვერდი

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. სტატიაში -„მარტყოფის სტაციონარის მთისწინების სტეპური ლანდშაფტების სამკურნალო მცენარეები“. გამოვლენილია მარტყოფის სტაციონარის მიდამოების მთისწინების-სტეპური ლანდშაფტების დომინანტური ფაციესების ძირითადი მცენარეული სახეობები, მათში დადგინდა სამკურნალო მცენარეების რაოდენობა. შედარდა დომინანტური ფაციესები სამკურნალო მცენარეების რაოდენობის თვალსაზრისით.
2. სტატიაში „სამცხე-ჯავახეთის ბიომრავალფეროვნება: ენდემური, იშვიათი და რელიქტური მცენარეები”- ჩვენს მიერ ჩატარებული ექსპედიციური კვლევის შედეგად მოპოვებული მასალების, ლიტერატურული და კარტოგრაფიული წყაროების საფუძველზე შევადგინეთ სამცხე-ჯავახეთში გავრცელებული ენდემური სახეობების, ასევე იშვიათი და რელიქტური მცენარეული ფორმაციების საერთო ნუსხა. მოცემულია მრავალი იშვიათი მცენარისათვის ბუნებრივი თუ ანტროპოგენული საფრთხის თავიდან აცილების გზები, რეგიონის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების ხერხები.

3. სტატიაში „სამცხე-ჯავახეთის მცენარეულობისა და ცხოველთა სამყაროს გეოეკოლოგიური თავისებურებები და მათთან დაკავირებული კომფლიქტები”- მოპოვებული მასალების საფუძველზე წარმოჩენილია სამცხე-ჯავახეთი, როგორც მცენარეულობისა და ცხოველთა სამყაროს მრავალფეროვნებით გამორჩეული რეგიონი. განხილულია მცენარეულობისა და ცხოველთა სამყაროს ძირითადი გეოეკოლოგიური თავისებურებები და მათთან დაკავშირებული კონფლიქტები.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	რობერტ მაღლაკელიძე	სამცხე-ჯავახეთის მცენარეულობა და მასთან დაკავირებული ზოგიერთი აქტუალური საკითხი	04.02.2015 თბილისი. საქართველო.
2 3	რობერტ მაღლაკელიძე, მანანა შარაშენიძე	სამცხე-ჯავახეთის მცენარეულობა და ცხოველთა სამყაროს თავისებურებები და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების გზები	19.12.2015 თბილისი. საქართველო

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1. მოხსენებაში „სამცხე-ჯავახეთის მცენარეულობა და მასთან დაკავირებული ზოგიერთი აქტუალური საკითხი” განხილულია საგრანტო პროექტთან დაკავშირებული ექსპედიციის მასალების, ასევე არსებული ლიტერატურული და კარტოგრაფიული

წყაროების საფუძველზე დაყრდნობით სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მცენარეული საფარის ფლორისტული შემადგენლობის და ვერტიკალური ზონალობის თავისებურებები, ასევე ჭარბტენიან მცენარეულობასა და გოდერძის განამარხებული ფლორის შენარჩუნებასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები.
2. მოხსენებაში „სამცხე-ჯავახეთის მცენარეულობა და ცხოველთა სამყაროს თავისებურებები და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების გზები"- წარმოჩენილია სამცხე-ჯავახეთი, როგორც მცენარეულობისა და ცხოველთა სამყაროს მრავალფეროვნებით გამორჩეული რეგიონი. განხილულია მცენარეულობისა და ცხოველთა სამყაროს ძირითადი თავისებურებები და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების გზები

ნიადაგების გეოგრაფიის კათედრა

❖ **სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი:** პროფესორი ლია მაჭავარიანი

❖ **სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:**
პროფესორი ლია მაჭავარიანი (კათედრის გამგე); ასოც. პროფ. ბესიკ კალანდაძე; კათედრასთან არსებული ნიადაგმცოდნეობისა და ნიადაგების გეგოგრაფიის ლაბორატორიის თანამშრომლები: გულნარა აფციაური (უფროსი ლაბორანტი), ელენე ნიკოლაიშვილი (ლაბორანტი), იამზე შელია (ლაბორანტი).

I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
(ეხება სამენიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

#	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

I. 2.

#	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

#	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

1	საერთაშორისო კონფერენცია „გამოყენებითი ეკოლოგია: პრობლემები, სიახლეები", ICAE-2015. დედამიწისშემსწავლელი მეცნიერებები: ბუნებათსარგებლობა და მდგრადი განვითარება; გარემოს დაცვის ტექნო-ლოგიები; დაბინძურება და აღდგენა	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (# CF/75/9-280/14)	ლია მაჭავარიანი	ლ. ლაღიძე დ. ნიკოლაიშვილი ნ. პაიჭაძე ზ. გულაშვილი

დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

შოთა რუსთველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით 2015 წლის 7-10 მაისს ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია "გამოყენებითი ეკოლოგია: პრობლემები, სიახლეები" ICAE-2015 (პროექტი: CF/75/9-280/14). კონფერენციას მასპინძლობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; კონფერენციის თავმჯდომარე – პროფესორი ლია მაჭავარიანი._კონფერენციის მიზანი იყო გამოყენებითი ეკოლოგიის პრობლემებზე მომუშავე სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტთა სამეცნიერო მიღწევების გაცნობა, ინფორმაციის ურთიერთგაცვლა და გამოცდილების გაზიარება ადგილობრივ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე. შეიქმნა ორენოვანი (ინგლისურ-ქართული) საკონფერენციო საიტი: http://icae-2015.tsu.ge/

კონფერენციაზე დარეგისტრირდა 145 მონაწილე 18 ქვეყნიდან (აზერბაიჯანი, ბულგარეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ეგვიპტე, თურქეთი, ისრაელი, იტალია, კვიპროსი, მალაიზია, მოლდოვა, ნიდერლანდენი, პაკისტანი, რუსეთი, საქართველო, სომხეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი). კონფერენციაზე მონაწილეობის მსურველთა საერთო რაოდენობამ, თანამომ-ხსენებლების (თანაავტორების) ჩათვლით 323-ს მიაღწია. წარდგენილი თეზისების რაოდენობა 150-ს აღემატებოდა. კონფერენციის სამუშაო ენა – ინგლისური.

კონფერენციის სამეცნიერო პროგრამა და სტრუქტურა: კონფერენციის გახსნა; ფოტო-გამოფენა *„საქართველოს ბუნება: გუშინ და დღეს";* პლენარული სდომა; პარალელურ რეჟიმში მიმდინარე 17 სექცია. სექციური სხდომები ჩატარდა როგორც თბილისში (7 მაისი – თსუ I კორპ., აუდიტ. #115, #101, #214), ისე ბათუმში (9 მაისი – სამტუმროები "ერა-პალასი", "ჩაო"; 10 მაისი – ბათუმის ბოტანიკური ბაღი):
http://icae-2015.tsu.ge/mtavari.php?lan=engl&cat=aEfKD

კონფერენციაზე წარდგენილი მოხსენებები დაიბეჭდა ორგვარი პუბლიკაციის სახით:

- 61 სტატია – კონფერენციის შრომებში – PROCEEDINGS, ICAE-2015 *International Conference "Applied Ecology: Problems, Innovations"* (ISBN 978-9941-0-7644-2) http://icae-2015.tsu.ge/
- შერჩეული მოხსენებები (28 სტატია) – ამერიკული ჟურნალის სპეციალურ გამოშვებაში – *„American Journal of Environmental Protection" Special Issue „Applied Ecology: Problems, Innovations"* (გამომცემლობა: *Science Publishing Group).* AJEP-ის სპეციალური გამოშ-ვების მთავარი რედაქტორი – პროფ. ლია მაჭავარიანი: http://www.sciencepublishinggroup.com/specialissue/163003#.Vf_YGMh1sM4

I. 4.

#	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

	მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით			
1	ნაპირდაცვისა და ჰიდროენერგეტიკის ერთობლივი პრობლემის რეალიზაციის თანამედროვე მეთოდიკა. დედამიწისშემსწავლელიმეცნიერებები: ოკეანოგრაფია; ბუნებათსარგებლობა და მდგრადი განვითარება; გარემოს მონიტორინგი და შეფასება	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (AR/220/9-120/14)	ლია მაჭავარიანი	გ. მეტრეველი ნ. წივწივაძე
2	ტერიტორიული დაგეგმარებისათვის სამცხე-ჯავახეთის ლანდშაფტურ-ეკოლოგიური შეფასება გის-ანალიზის მეშვეობით. დედამიწისშემსწავლელი მეცნიერებები	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (AR/105/9-280/13)	დალი ნიკოლაიშვილი	ბ. კალანდაძე ვ. ტრაპაიძე ლ. ლაღიძე რ. მაღლაკელიძე ზ. ლაოშვილი
3	AMIES II – Scenario development for sustainable land use in the Greater Caucasus, Georgia ინტერდისციპლინარული პროექტი	VW	ანეტე ოტტე (გისენის უნივერსიტეტი)	ჰ. ფელიქს-ჰენინგსენი ბ. კალანდაძე თ. ჰანაუერი თ. ურუშაძე ბ. ვაშევი
4	საქალაქო აგლომერაციების ლანდშაფტური დაგეგმარების მეთოდოლოგია	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ნოდარ ელიზბარაშვილი	ე. სალუქვაძე გ. მელაძე ბ. კალანდაძე

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

1. პროექტის I ეტაპის ფარგლებში მიღებულია შემდეგი სახის შედეგები:

- მოძიებულ იქნა საქართველოს ზღვისპირის მოწყვლადი უბნების შესახებ არსებული ლიტერატურული, საარქივო, საექსპედიციო და სისტემატური დაკვირვების შედეგები. შეიქმნა მონაცემთა შესაბამისი ინფორმაციული ბაზა.
- შეფასებულია კლიმატის მიმდინარე ცვალებადობის პირობებში ზღვის შტორმული აქტივობის, დონისა და დინებების რეჟიმის ცვლის ამსახველი ინფორმაცია.
- შედეგები ასახულია პირველი შუალედური ანგარიშის სახით.

2. პროექტის III და IV ეტაპის ფარგლებში ძირითაი თეორიული და პრაქტიკული შედეგები:

- შეიქმნა სამცხე-ჯავახეთის ლანდშაფტური რუკა 1:50,000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკის საფუძველზე, რისთვისაც ასევე გამოყენებულია სხვადასხვა სამეცნიერო, კარტოგრაფიული, სტატისტიკური, 2014-2015 წლებში პროექტის ფარგლებში ჩატარებული ექსპედიციების საველე მასალები. რუკაზე დატანილია ბტკ-ების ვერტიკალური სტრუქტურის ტიპები, რაც დაეფუძნა პროფ. ნ. ბერუჩაშვილის მიერ შემუშავებულ სივრცე-დროითი ანალიზისა და სინთეზის კონცეფციას. რუკა ელექტრონულ ფორმატშია;
- განხორციელდა რეგიონის ბუნების კომპონენტებისა და სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებელთა სივრცე-დროითი ანალიზი. შექმნილია თემატურ რუკათა სერია;
- დაწყებულია რეგიონის ლანდშაფტთა კომპიუტერული მოდელის შექმნა და შექმნილია გის მონაცემთა ბაზა;
- 2015 წელს ჩატარდა ექსპედიცია ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში, რის შედეგადაც აღიწერა 60 ლანდშაფტური ნაკვეთი და განხორციელდა მოსახლეობის გამოკითხვა ტრადიციული და თანამედროვე ბუნებათსარგებლობით საკითხებზე.

3. AMIES II პროექტი გაგრძელებაა AMIES I პროექტისა, რომელიც მიმდინარეობდა 2010-2013 წლებში ყაზბეგის მთიანი რეგიონისა და ბაკურიანის მთიანეთში. აღნიშნული მთიანი რეგიონების შედარებითი სამეცნიერო სამუშაოების გაანალიზების საფუძველზე მომზადდა AMIES II პროექტი, რომელიც ხორციელდება ყაზბეგის მთიან რეგიონში და რომლის მიზანია აღნიშნული რეგიონის ნიადაგების პოტენციური ნაყოფიერებისა და შესაძლო დეგრადაციის ხარისხობრივი შეფასება. 2015 წლის ზაფხულის საველე ექსპედიციის პირობებში საერთაშორისო მკვლევართა ჯგუფმა ნიადაგების 15 დამატებითი პოლიგონი გამოყო რეგიონის სხვადასხვა ხეობებში, როგორც სასოფლო სამეურნეო სავარგულებში ისე სათიბებსა და საძოვრებზე. აღებულ იქნა დაახლოებით 105 ნიადაგის ნიმუში ლაბორატორიული კვლევებისათვის. აქედან ნიმუშების გარკვეულ რაოდენობაზე კვლევები ტარდება თსუ ნიადაგების გეოგრაფიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიაში. წინასწარი ლაბორატორიული შედეგები უკვე მომზადებულია. აღნიშნული შედეგების საჯარო წარდგენა ჩატარდა ა.წ. 20 აგვისტოს ყაზბეგის მუნიციპალიტეტში.

4. საქალაქო აგლომერაციების ლანდშაფტური დაგეგმარების მეთოდოლოგია გაკეთდა თბილისი რუსთავის მშენებარე ავტობანის ინფრასტრუქტურის ოპტიმალური შექმნისათვის. პროექტის ფარგლებში გაკეთდა სხვადასხვა აზომვითი სამუშაოები, რომელიც წინაპირობა იყო საკმაოდ მოცულობითი მიწის სამუშაოების ჩატარებისათვის. აიზომა და განისაზღვრა ნიადაგის ზედა ნაყოფიერი ფენის მოხსნისა და მისი შესაბამისი დასაწყობების მეთოდიკა, რასაც წინ უსწრებდა ავტომაგისტრალის მიმდებარე ტერიტორიებზე გავრცელებული ნიადაგების მორფოლოგიური შესწავლა და სხვა საველე სამუშაოები.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

#	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები (ქართულ ენაზე)				

სახელმძღვანელოები

#	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები (ქართულ ენაზე)				

კრებულები

#	ავტორი / ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები (ქართულ ენაზე)				

სტატიები

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის / კრებულის დასახელება	ჟურნალის / კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1					
ანოტაციები (ქართულ ენაზე)					

II. 2. პუბლიკაციები:

ა) უცხოეთში

მონოგრაფიები

#	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები (ქართულ ენაზე)				

სახელმძღვანელოები

#	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები (ქართულ ენაზე)				

კრებულები

#	ავტორი / ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Matchavariani L. Lagidze L. Paichadze N.	Intensity, Distribution & Role of Profile-forming Processes in Pedogenesis of Georgia	Proceedings of the 15th International Multidisciplinary Scientific Geo-Conference SGEM2015 “Water Resources. Forest, Marine & Ocean Ecosystems” ISBN: 978-619-7105-37-7 / ISSN: 1314-2704, DOI: 10.5593/sgem 2015B32, Albena, Bulgaria, 2015, vol. II	199-207
2	Tsivtsivadze N. Khatiashvili E. Matchavariani L. Lagidze L. Motsonelidze N.	About the Determination \of Chlorine Dose for Drinking Water Disinfection	Proceedings of the 15th International Multidisciplinary Scientific Geo-Conference SGEM2015 „Ecology, Economics, Education & Legislation” ISBN: 978-619-7105-39-1 / ISSN: 1314-2704, DOI: 10.5593/sgem2015, Albena, Bulgaria, B51, 2015, vol. I	11-18
3	Nikolaishvili D. Matchavariani L.	Impacts of Climate Change on Georgia’s Mountain Ecosystems. Chapter 10 in book: “Climate Change Impacts on High-Altitude Ecosystems”	Springer International Publishing Switzerland, 2015. ISBN 978-3-319-12858-0; ISBN 978-3-319-12859-7 (eBook). DOI 10.1007/978-3-319-12859-7	245-275
4	Khatisashvili G. Matchavariani L. Gakhokidze R.	Soil Remediation & Plants: Prospects and Challenge. Chapter 19 in book: „Improving Phytoremediation of Soil Polluted with Oil Hydrocarbons in Georgia“	Elsevier - AMSTERDAM • BOSTON • HEIDELBERG • LONDON • NEW YORK • OXFORD • PARIS • SAN DIEGO • SAN FRANCISCO • SINGAPORE • SYDNEY • TOKYO, 2015. ISBN: 978-0-12-799937-1	547-569

5	Nikolaishvili D. Sartania D. Matchavariani L.	Complex Evaluation of Different Factors on Growth of Grape in Georgia	Proceedings of International Conference "Applied Ecology: Problems, Innovations" ICAE-2015 ISBN 978-9941-0-7644-2, Tbilisi-Batumi, 2015	292-296
6	Tsivtsivadze N. Khatiashvili E. Askurava Z. Matchavariani L. Lagidze L. Motsonelidze N. Ivanov G. Paichadze N. Gulashvili Z.	Measures of Drinking Water Supply Reservoirs Ecological Problems Solution.	Proceedings of International Conference "Applied Ecology: Problems, Innovations" ICAE-2015. ISBN 978-9941-0-7644-2, Tbilisi-Batumi, 2015	288-291
7	Kalandadze B. Trapaidze V.	Quantitative evaluation of the impact of heavy metals on soil productivity on the example of ore-dressing and processing production in East Georgia	Proceedings of the 15th International Multidisciplinary Scientific Geo-Conference SGEM2015 „Ecology, Economics, Education & Legislation". Albena, Bulgaria, 2015, vol.II	271-278
8	Schatz. M. Babaev E. Kalandadze B. Beuhm L. Deuring A.	Persistent organic pollutants in transcaucasian soils and sediments – The invisible heritage of former Soviet Union	15th EuCheMS International Conference on Chemistry and the Environment	
9	Hanauer T. Vaschev B. Kalandadze B. Polenz K., Felix-Henningsen P.	Eigenschaften, Verbreitung und Nutzungspotenzial von Böden einer Hochgebirgsregion im Kaukasus NE-Georgiens	გერმანიის ნიადაგმცოდნეთა საზოგადოების შრომები	Meunchen, Germany DBG 2015

ანოტაციები (ქართულ ენაზე)

1. საქართველოს ნიადაგების ძირითადი გეოგრაფიული პარამეტრების გამოვლენისას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ნიადაგწარმოქმნელი პროცესების (ჰუმიფიკაცია, გალეჭება, გარკინიანება, ლესივირება, გათიხება, გაკარბონატება) მიკრომორფოლოგიურ დიაგნოსტირებას. თითოეული გენეტიკური ტიპისათვის გამოვლენილია ყველაზე დამახასიათებელ პროცესთა ჯგუფები: შავმიწა, ყავისფერ და მთელოს ყავისფერ ნიადაგებში გავრცელებული პროცესებია – ჰუმიფიკაცია-გალეჭება-გაკარბონატება; რუხ-ყავისფერ, მდელოს რუხ-ყავისფერ და დამლაშებულ (ბიც, ბიცობ) ნიადაგებში – გაკარბონატება გალეჭებისა და ლესივაჟის მონაწილეობით; ყვითელმიწა, სუბტროპიკულ ეწერ და ეწერ-ლებიან ნიადაგებში – ლესივაჟი-გალეჭება-გარკინიანება; წითელმიწა და ალუვიურ ნიადაგებში – ლესივაჟი-გარკინიანება; მთის შავმიწებში ჰუმიფიკაცია-გათიხება; ყომრალებში – გათიხება გარკინიანებისა და ლესივაჟის მონაწილეობით; მთა-მდელოს ნიადაგებში – ლესივაჟი, ნაწილეობრივ გალეჭება. შექმნილია კარტოგრაფიული მასალა, რომელიც ასახავს პროფილისმაფორმირებელი პროცესების გავრცელებასა და ინტენსურობას საქართველოს ნიადაგებში.

2. ცნობილია, რომ წყალი დიდ გავლენას ახდენს მოსახლეობის სიცოხლის უნარიანობაზე, ამიტომ მოწოდებული წყლის რაოდენობისა და ხარისხის პრობლემა დიდ როლს ასრულებს ადამიანის ჯანმრთელობაზე. სამწუხაროდ, საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი

იძულებულია ისარგებლოს წყლით, რომელიც არ შეესაბამება სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს. სასმელი წყლის დიდი ნაწილი დასახლებულ პუნქტებში გამოედინება წყალსაცავებიდან, რომლებიც ივსება მდინარეებიდან, ან ტბებიდან, რომლებიც წვიმის წყლის, თოვლის ან მყივნარის მდნარი წყლის შემკრებებს წარმოადგენენ. ისინი ძირითადად დაბინძურებულია რამდენიმე ქიმიური და ორგანული ნივთიერებით, სხვადასხვა ნბაქტერიითა და მიკროორგანიზმით, რაც ნაწლავების დაავადებებს იწვევს. ამდენად, აქტუალური გახდა პრობლემა, რომელიც უკავშირდება საკითხს, თუ როგორ უნდა შემცირდეს წყლის დაბინძურება და თავიდან იქნას აცილებული ქლორირებული სასმელი წყლის მავნე ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე. ამ მიზნით ჩატარებული სამუშაო წარმოადგენს ქლორის ოპტიმალური დოზის განსაზღვრის მცდელობას სასმელი წყლის პათოგენური ბაქტერიებისგან დეზინფექციის წყალმომმარაგებელ რეზერვუარებში, მაშინ როდესაც დამაბინძურებელი ორგანული ნივთიერება არსებობს წყალსაცავში.

3. კვლევის მიზანს წარმოადგენდა კლიმატის ცვლილების გავლენის დადგენა საქართველოს მთიან ლანდშაფტებზე და კონკრეტული საშიშროების წინაშე მყოფი ძლიერ მგრძნობიარე ლანდაფტების იდენტიფიცირება. გამახვილებულია ყურადღება საქართველოს ლანდშაფტის წარმოქმნელ ოროგრაფიულ-კლიმატურ ფაქტორებზე, მთიანი ტერიტორიების ლანდშფტურ მრავალფეროვნებასა და ტერიტორიულ განაწილებაზე, ფიტომასებსა და ნიადაგურ პირობებზე, ეკოლოგიურ ფუნქციებსა და ანთროპოგენურ ტრანსფორმაციაზე. გაანალიზებულია ჰაერის ტემპერატურის, ნალექების, გვალვების, ქარებისა და სხვა გეოგრაფიული პირობების დინამიკა. შეფასებულია საქართველოში კლიმატის ცვლილებისადმი ლანდშაფტთა მგრძნობელობა.

4. საქართველოში ბაქო-სუფსისა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენები სერიოზულ საშიშროებას უქმნის ნიადაგის დაბინძურებას ნავთობის ნახშირწყალბადებით, რაც საჭიროებს სპეციალური ეკოლოგიური ტექნოლოგიის შექმნას. დურმიშიძის სახ. ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიების ინსტიტუტში, ნიადაგის ფიტორემედიაციისთვის შემუშავდა კომბინირებული გამოყენება სპეციალურად შერჩეული მცენარეებისა და მიკროორგანიზმების. ფიტორემედიაციის მიზნობრივი ტექნოლოგიის შემუშავებისას, მილსადენების გასწვრივ შესწავლილია ნიადაგის ტიპები. თითოეული ნიადაგისათვის შეფასებულია ნავთობის ნახშირწყალბადის საერთო რაოდენობის გრუნტის წყლებში მოხვედრის რისკის დონე. შერჩეული მიკროორგანიზმებისა და მცენარეების გამოყენებისას, გამოვლინდა ნახშირწყალბადის ეფექტური მოცილება ნიადაგიდან.

5. თანამედროვე გეოგრაფიული კვლევების ერთ-ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენს ტერიტორიის სასოფლო-სამეურნეო რესურსული პოტენციალის შეფასება. ამგვარი შეფასება შესაძლებლობას იძლევა შეიქმნას საფუძველი ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების, ტერიტორიული დაგეგმარებისა და გარემოს დაცვისათვის. მთავარია შეფასდეს ცალკეული ტერიტორია ვაზის გავრცელების შესაბამისად. კვლევის ძირითადი მიზანი მდგომარეობს ამ კუთხით საქართველოს მთელი ტერიტორიის აგრო-რესურსული პოტენციალის შეფასებაში. სხვადასხვა მონაცემზე (გეოგრაფიული, ეთნოგრადიული, კარტოგრაფიული და სხვ.) დაყრდნობით, შეიქმნა საქართველოს აგრო-რესურსული პოტენციალის დონეები და გამოვლინდა ამ პოტენციალის სივრცობრივ-ტერიტორიული გავრცელების თავისებურებანი. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მრავალფაქტორულ ანალიზს, კერძოდ ცალკეულ პარამეტრებს შორის სივრცობრივდროითი თავისებურებების გამოვლენას. ნაჩვენებია შეფარდება მევენახეობასა და ბუნებას, ან ანთროპოგენურ ფაქტორებს შორის. ბუნებრივ ფაქტორებს შორის უმნიშვნელოვანესია ტოპოგრაფია, კლიმატი და ნიადაგური თავისებურებანი. ანთროპოგენური ფაქტორების თვალსაზრისითაც ბევრი ფაქტორია მნიშვნელოვანი: მევენახეობის ტრადიცია, მანძილი ვენახებს შორის, მეღვინრობის წესები და ა.შ. ეს საკითხები ნაკლებადაა შესწავლილი სამეცნიერო შრომებში. საქართველოს რეგიონს შორის დიდი სხვაობა არსებობს ტრადიციული მევენახეობისა და მეღვინეობის კუთხით. კომპლექსური და მრავალფაქტორული ანალიზის საფუძველზე, განხორციელდა საქართველოს ზონირება მევენახეობისა და მეღვინეობის თვალსაზრისით.

განისაზღვრა პოტენციალის ხუთი კატეგორია. გის-ტექნოლოგიის გამოყენებით, შედგენილ იქნა საქართველოს მევენახეობი რუკა.

6. სასმელი და რეკრეაციული წყლის ხარისხი წარმოადგენს წყალმომარაგებითი და გარემოს დაცვითი ორგანიზაციების რთულ და კომპლექსურ ამოცანას. დღევანდელ მსოფლიოში ეს პრობლემა გასცდა კერძო ინტერესების ჩარჩოებს, რადგან ის ეხება მოსახლეობის ყოველდღიურ მოთხოვნილებას და მისი ჯანმრთელობის დაცვას, ისევე როგორც ქვეყნების უმნიშვნელოვანეს საკითხს უსაფრთხო და მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის. საქართველოში პრობლემის აქტუალობა განპირობებულია უკანასკნელ ათწლეულებში გაურკვეველი წარმოშობის ინფექციური დაავადებების სიხშირით, ბავშთა სიკვდილიანობით, სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირებით და სხვ. წყალსაცავების ეკოლოგიური მდგომარეობისა და წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ქვეყანაში გამოყენებული წყლის დეზინფექციის მეთოდს არც ექიმები და მეცნიერები, არც ჯანდაცვის ორგანოები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ. ნაშრომში მოტანილია წყლისმომარაგების მთავარი რეზერვუარის, ე.წ. „თბილისის ზღვის“ ეკოლოგიური მდგომარეობის კვლევის შედეგები. გამსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სხვადასხვა სახის წყალმცენარეების არსებობას წყალსაცავში, რომლებიც აბინძურებენ სასმელ წყალს და განაპირობებენ ორგანოლეპტიკური სახის ცვლილებებს ევტროფიკაციის პროცესში. ამ უკანასკნელის ნეგატიური ზემოქმედების გაუვნებელყოფისათვის შეთავაზებულია რეკომენდაციები – შესაბამისი მეთოდები და ტექნიკური საშუალებები.

7. გარემოს გაჭუჭყიანების მრავალ ფაქტორთაგან მნიშვნელოვანია მძიმე მეტალებით ნიადაგისა და წყლის დაბინძურება. ზოგიერთი მათგანი ძალიან მაღალი ტოქსიკურობით გამოირჩევა და მათი დიდი რაოდენობით ცოცხალ ორგანიზმში მოხვედრა იწვევს ჯანმრთელობის მკვეთრ გაუარესებას, მით უმეტეს, რომ მძიმე მეტალების ნახევრად გამოძევების პერიოდი საკმაოდ დიდია, მაგ: Cd პერიოდია 1100 წელი, Cu-ის 310-1500 წელი, Pb-ის 310-5900 წელი, Zn-ის 510 წელი. გარემოს გაჭუჭყიანების სტრეს-ინდექსების მიხედვით მძიმე მეტალებით გაჭუჭყიანება პირველ ადგილზეა, ჭარბი რაოდენობით მძიმე მეტალების ცოცხალ ორგანიზმში ან ნიადაგში მოხვედრა იწვევს ჯანმრთელობის მკვეთრ გაუარესებას და საბოლოო ჯამში მკვეთრად ეცემა ნიადაგის ნაყოფიერების უნარიც. ამიტომ მძიმე მეტალების დაგროვების და მიგრაციის შესწავლა უმნიშვნელოვანესი და აქტუალური საკითხია. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ჩამდინარე წყლებით ნიადაგის მორწყვის გავლენა მის ქიმიურ შემადგენლობაზე. მძიმე მეტალებით გამდიდრებული ჩამდინარე წყლების სარწყავად გამოყენება სავალალო შედეგებს იძლევა.

8. გარემოს დაბინძურება მძიმე ლითონებით, აზოტისა და გოგირდის ოქსიდებით, ქლორორგანული და ფოსფორული ნაერთებით, პესტიციდებითა და სხვა მრავალტოქსიკური ნაერთებით დღეისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. თანამედროვე აგრარული მეურნეობა ხასიათდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების დასამუშავებლად ინდუსტრიული ტექნოლოგიების ფართო დანერგვით, რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებს ტექნიკური საშუალებების - პესტიციდების ინტენსიურ მოხმარებას. მცენარეთა დაავადებების, მავნებლებისა და სარეველების წინააღმდეგ პესტიციდების გამოყენება საშუალებას იძლევა მოკლე დროში, შრომისა და სახსრების ნაკლები დანახარჯებით ეფექტურად დავიცვათ მცენარეები და შევაჩეროთ სხვადასხვა დაავადებებისა და მავნებლების მასიური გავრცელება. რთულია პესტიციდების მოხმარებით მიღებული სარგებლის და პარარელურად ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანების და გარემოს დაბინძურების რისკის შეფასება ან გაზომვა და მისი წარმოდგენა რაიმე ერთეულებში.

9. ყაზბეგის რაიონში მთა-მდელოსა და მთა-ტყე-მდელოს ნიადაგებში ორგანული ნივთიერებები საკმაოდ მაღალია, მაგრამ მისი უხეში ბუნებისა და მკაცრი კლიმატური პირობების გამო მისი ათვისება მცენარის მიერ შემცირებულია. ამის გამო მთაში აგრარული სექტორი გარკვეულ პრობლემებს განიცდის. ამას ემატება მთა-გორიანი რელიეფის გამო შეზღუდული მიწის რესურსები და ნიადაგების ეროზია. ამიტომ მთიანი რეგიონის ნიადაგები ძალიან მოწყვლადია ბუნებრივი პროცესების მიმართ. 2015 წლის ზაფხულის საველე ექსპედიციის

პირობებში საერთაშორისო მკვლევართა ჯგუფმა ნიადაგების 15 დამატებითი პოლიგონი გამოყო რეგიონის სხვადასხვა ხეობებში, როგორც სასიოფლო სამეურნეო სავარგულებში ისე სათიბებსა და საძოვრებზე. აღებულ იქნა დაახლოებით 105 ნიადაგის ნიმუში ლაბორატორიული კვლევებისათვის. წინასწარი ლაბორატორიული შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ ყაზბეგის რაიონში საკმაოდ ჭრელი სურათი გვაქვს. ვულკანურ ნაფენებზე ნიადაგების ნაყოფიერება საკმაოდ მაღალია, ხოლო მორენულ ნაფენებზე - საკმაოდ მწირი. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ნიადაგების დაცვით ღონისძიებების დანერგვას. აღნიშნული შედეგების საჯარო წარდგენა ჩატარდა ა.წ. 20 აგვისტოს ყაზბეგის მუნიციპალიტეტში.

სტატიები

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის / კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Matchavariani L. Kalandadze B. Lagidze L. Gokhelashvili N. Sulkhanishvili N. Paichadze N.	Soil Quality Changes in Response to their Pollution of Heavy Metals in Georgia. Journal of Environmental Biology	Special Issue: "Ecology, Geography & Environment in the Mediterranean", 2015, vol. 36	Triveni Enterprises IF: 0.88 Indexed in: Thomson Reuters	85-90
2	Lagidze L. Matchavariani L. Tsivtsivadze N. Paichadze N. Motsonelidze N.	Medical Aspects of Atmos-phere Pollution. Journal of Environmental Biology.	Special Issue: "Ecology, Geography & Environment in the Mediterranean", 2015, vol. 36	Triveni Enterprises IF: 0.88 Indexed in: Thomson Reuters	101-106
3	Basilashvili Ts. Matchavariani L. Lagidze L.	Desertification Risk in Kakheti Region, East Georgia. Journal of Environmental Biology.	Special Issue: "Ecology, Geography & Environment in the Mediterranean", 2015, vol. 36	Triveni Enterprises IF: 0.88 Indexed in: Thomson Reuters	33-36
4	Matchavariani L. Nikolaishvili D.	Forms and Extent of Ferru-gination in Soils of Georgia. American Journal of Environmental Protection.	Special Issue: „Applied Ecology: Problems, Innovations", 2015, vol. 4, #3-1	Science Publishing Group	157-161
5	Kereselidze D. Matchavariani L. Trapaidze V. Lagidze L. Svanadze D. Bregvadze G. Gulashvili Z.	Quantitative Assessment of Permissible Loads on Georgia's Soil. American Journal of Environmental Protection.	Special Issue: „Applied Ecology: Problems, Innovations", 2015, vol. 4, #3-1	Science Publishing Group	29-33
6	Lagidze L. Matchavariani L. Kereselidze D. Tsivtsivadze N. Paichadze N.	The Influence of Meteoro-logical Conditions on Atmospheric Pollution in Georgia. American Journal of Environmental Protection.	Special Issue: „Applied Ecology: Problems, Innovations", 2015, vol. 4, #3-1	Science Publishing Group	67-71

7	Tsivtsivadze N. Matchavariani L. Lagidze L. Motsonelidze N. Ivanov G. Paichadze N.	Modern Conceptual & Technological Approaches to the Georgia Black Sea Coastline Protection. J. Earth Sciences.	Special Issue: "Modern Problems of Geography & Anthropology", 2015, vol. 4, #5-1	Science Publishing Group	46-53
8	Nikolaishvili D. Salukvadze E. Bolashvili N. Chikhradze N. Matchavariani L.	Anthropogenic Transfor-mation of Landscapes of Colhis Lowland & Surrouning Foothils. J. Earth Sciences.	Special Issue: "Modern Problems of Geography & Anthropology", 2015, vol. 4, #5-1	Science Publishing Group	68-72
9	Kereselidze D. Matchavariani L. Trapaidze V. Lagidze L., et.al.	Evaluation & Management of the Risk of Flooding River Bank. Engineering Geology for Society & Territory,	2015, vol.3: River Basin, Reservoir Sedimentation & Water Recourses	Springer International Publishing Switzerland	463-469
10	Kalandadze B. Trapaidze V. Lagidze L. Laoshvili Z. Kalandadze I.	Role of Irrigation Farming in the Perspective Develop-ment of Agriculture in Samtskhe Region. J. Earth Sciences.	Special Issue: "Modern Problems of Geography & Anthropology", 2015, vol. 4, #5-1	Science Publishing Group	13-18
11	Lagidze L. Trapaidze V. Kalandadze B.	Impact of the Relief on the Territorial Distribution of the Precipitations on the Example of Samtskhe-Javakheti. J. Earth Sciences.	Special Issue: "Modern Problems of Geography & Anthropology", 2015, vol. 4, #5-1	Science Publishing Group	91-98
12	Nikolaishvili D. Trapaidze V. Kalandadze B. Mamukashvili T. Sharashenidze M.	Complex evalvation of climate change – an example from Georgia's Landscapes. Journal of Environmental Biology.	Special Issue: "Ecology, Geography & Environment in the Mediterranean" 2015, vol. 36	Triveni Enterprises IF: 0.88 Indexed in: Thomson Reuters	43-49

ანოტაციები (ქართულ ენაზე)

1. ნიადაგი, რომელიც ბუნების ელემენტების ურთიერთმოქმედებით ყალიბდება, ლანდშაფტის ყველაზე ინფორმაციული შემადგენელია. ამიტომ, ყველა ის ანთროპოგენური და ბუნებრივი პროცესი, რომლებსაც ადგილი აქვს კონკრეტულ ეკოსისტემებში, ყველაზე აქტიურად სწორედ ნიადაგში აისახება. ნიადაგი, ამასთანავე, ბუნების ყველაზე სპეციფიკური და რთული კომპონენტია. მისი დაბინძურების შემთხვევაში, საწყისი ბალანსის აღდგენა პრაქტიკულად შეუძლებელია. ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა არის გარემოს დაბინძურება მძიმე ლითონებით. კვლევის მთავარი მიზანი იყო მძიმე ლითონების შემადგენლობის, მიგრა-ციისა და დაგროვების შესწავლა საქართველოს სარწყავ ნიადაგებში, მცენარებში და ნაწი-ლობრივ ბუნებრივ წყლებში; ასევე, დაბინძურების შესაძლო წყაროებისა და მათი გავლენის დადგენა რეგიონის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე. შესწავლილია სამთო-მომპოვებელ და გადამამუშავებელი საწარმოს მიმდებარე სარწყავ ნიადაგებში ტოქსიკური ელემენტების შედგენილობა. გამოვლენილია მძიმე ლითონების სხვადასხვა კონცენტრაცია. კვლევებმა აჩვენა, რომ ნახევარზე მეტი ტერიტორია სერიოზულადაა დაბინძურებული სპილენძითა და თუთიით. ზოგიერთი ტერიტორია შეიძლება კატასტროფულად დაბინძურებულად ჩაითვალოს. ადგილი აქვს ტექნოგენეზს, რომელიც ირიგაციის ზემოქმედებაზე მიუთითებს, ვინაიდან, ეს ტერიტორიები ინტენსიურად ირწყვება მდინარეებისა და არხების წყლებით, რომლებიც ბინძურდება მომპოვებელი საწარმოდან გამომდინარე წყლით. ჩამდინარე წყალი გამოედინება

საწარმოდან და სარწყავი სისტემის მეშვეობით ხვდება ნიადაგში. კვლევამ აჩვენა, რომ ძირითადი დამაბინძურებელი მძიმე ლითონებია: სპილენძი, თუთია, მანგანუმი, რომლებიც აქტიურ უარყოფით გავლენას ახდენენ ნიადაგის თვისებებზე, მის შემადგენლობაზე და ნიადაგწარმოქმნელ პროცესებზე. ეს განსაკუთრებით კარგად აისახება ნიადაგების ჰიდრო-ფიზიკური პოტენციალის გაუარესებაზე, ცვლის ნიადაგის pH-ს, ირღვევა დაბალანსებული კორელაცია მყარ, თხევად და გაზობრივ ფაზებს შორის. უკიდურესად დაბინძურებულ ნიადაგებში ადგილი აქვს შეცემენტების პროცესს და ნიადაგის მკვეთრად გაზრდილ სიმჭიდროვეს, გუარესებულ ფორიანობას და კრიტიკულად დაბალ წყალგამტარობას.

2. კლიმატის ცვლილების გავლენა ეკოსისტემებზე და სათბურის გაზების მომატება ატმოსფეროში, 21-ე საუკუნის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. ატმოსფეროს შემადგენლობა საგრძნობლად შეიცვალა ინტენსიური ტექნოგენური დაბინძურების გამო. აეროზოლების (მყარი, თხევადი და გაზის) კონცენტრაციის მატება სერიოზულ ზეგავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე და ქმნის სასიცოცხლო რისკ-ფაქტორების რისკს. მიუხედავად კლიმატის ცვლილების გლობალური ხასიათისა, მისი ინტენსივობა და გავლენის მასშტაბი ხასიათდება რეგიონების გეოგრაფიული მდებარეობის ადგილობრივი სპეციფიკითა და მეტეოროლოგიური ფაქტორებით. გარდა ამისა, შეფასებულია ქ. თბილისისათვის მეტეოროლოგიური და ეკოლოგიური პირობების გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე. გამოვლინდა ურთიერთობა დამაბინძურებლებსა და მეტეოროლოგიური ფაქტორებს შორის: განსაკუთრებით გაზის დამაბინძურებელი მჭიდრო კორელაციაშია ყველა სხვასთან, რომელიც არის მათი ფოტოქიმიური აქტივობის შედეგი; დადებითი კორელაციური კავშირია (0.65; 0.69) ჰაერის ტემპერატურასა და დამაბინძურებელ შემადგენელს შორის; ყველა დამაბინძურებელი უკუკორელაციაშია შეფარდებით ტენიანობასთან, ჰიდროლიზის უნარის გამო. მრავალფაქტორული სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე, განისაზღვრა კორელაციური კავშირი სასწრაფო დახმარების გამოძახებებს, ამინდის ტიპებს, ატმოსფეროს დაბინძურების ინდექს, მიწისპირა ოზონის რაოდენობასა და დედამიწის მაგნიტურ ველს შორის. ატმოსფეროს დაბინძურებისას ანთროპოგენური მტვერით, ნახშირბადით, გოგირდისა და აზოტის ოქსიდებით, მიწისპირა ოზონის რაოდენობამ თბილისში მნიშვნელოვნად გადააჭარბა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას, რაც აისახება ადამიანის ჯანმრთელობაზე.

3. ქვეყნის განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული წყლის რესურსების მოხმარებაზე. საქართველო გამოირჩევა ჰიდრორესურსების სიმდიდრით, მაგრამ მათი არათანაბარი განაწილების გამო, წყლის მოთხოვნილება ხშირად არ ემთხვევა წყალმომარაგებას. ეს იწვევს მწვავე დეფიციტურ სიტუაციას. გლობალური კლიმატის ცვლილების გამო, მოსალოდნელია, რომ მტკნარი წყლის ოდენობა შემცირდეს საქართველოში. სწორედ ამიტომ, აუცილებელია წყლის რესურსების კომპლექსური მიდგომის გამოყენება წყალსაცავების მეშვეობით, რომელიც დიდი ეკონომიკური ეფექტის მიღწევის შესაძლებლობას იძლევა. საქართველოში არსებული ჰიდრო-ობიექტების მთავარი კომპონენტებია: ენერგიის წარმოება, ირიგაცია, წყალმომარაგება, წყალდიდობების რეგულაცია, რეკრეაცია, ტურიზმი, სპორტი. წყალდიდობების შევსება მთიანი რელიეფის პირობებში ხორციელდება გაზაფხულზე თოვლისა და მყინვარების დნობისას. საქართველოში, როგორც მთიან ქვეყანაში, უხვ წვიმებს აქვს ადგილი, რაც იწვევს მდინარეების კატასტროფულ დატბორვას. ზაფხულში და ზამთარში წყლის რაოდენობა 10-ჯერ მცირდება და სარწყავი წყლის მიწოდება და ენერგიის წარმოება ფერხდება. ამგვარად, წყლის ნაკლებობა, ისევე, როგორც მისი ჭარბი რაოდენობა, იწვევს ზარალს.სწორედ ამიტომაა საჭირო წყალსაცავებში წყალი რაოდენობის პროგნოზირება წლის სხვადასხვა პერიოდში. მაგრამ, კომპლექსურა, მთიან ტერიტორიებზე ოპერატიული ჰიდრომეტეოროლოგიური მონაცემები არასაკმარისია თანამედროვე მათემატიკური მეთოდების გამოსაყენებლად. შემუშავებულია პროგნოზირების მრავალ-ფაქტორული სტატისტიკური მოდელი, რომელიც სხვადასხვა მათემატიკური მეთოდებისა და კრიტერიუმები საშუალებით, შესაძლებელია ერთდროულად გამოკვლეულ იქნას პროგნოზების ზრდის დროულობა და მათი სიზუსტის ხარისხი. ეს მეთოდი უნივერსალურია მათი ალგორითმებისა და კომპიუტერული პროგრამების გამო, და შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა სტატისტიკურ კვლევებში. მათი გამოყენებით მივიღეთ მეთოდოლოგიას, მოკლე და გრძელვადიანი პროგნოზებისათვის, საქართველოს ძირითად წყალსაცავებში ჩამდინარე წყლის თვისებებზე, რათა შემდგომში

მოხდეს ოპტიმალური დაგეგმარება და წყლის რესურსების შეუფერხებელი და უსაფრთხო ექსპლუატაციის რეგულირება.

4. გარკინიანება, როგორც ერთ–ერთი ყველაზე დამახასიათებელი პროცესი საქართველოს ნიადაგებში, შესწავლილ იქნა როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი თვალსაზრისით პოლარიზაციულ–ინტერფერეციული მიკროსკოპის გამოყენებით. გამოკვლეულია ზოგიერთი ნიადაგური ფაქტორი, რომლებიც განაპირობებენ რკინის წარმონაქმნების გენეზისს დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველოს ნიადაგებში. ეს პროცესი მიკრომორფოლოგიურად დიაგნოსტირდება სხვადასხვა ფორმის რკინის წარმონაქმნების არსებობით, რკინის კონცენტრაციის, ან რკინის კრისტალიზაციის ხარისხით, რკინის ჰიდროჟანგებისგან პლაზმის გარკინიანებული მიკროზონების გაჟღენთვით და სხვ. შექმნილია რუკა, რომელიც ასახავს საქართველოს ნიადაგებში გარიკინიანების პროცესის გავრცელაბასა და ინტენსიურობას.

5. ნაშრომის მიზანია საქართველოს ნაყოფიერი ნიადაგების მდგომარეობის რაოდენობრივი შეფასება და საშიში სიტუაციების დადგომის რისკის გაანგარიშების მიახლოებით (ალბათური) მეთოდების შემუშავება. ასეთი მეთოდების აუცილებლობას კარნახობს ნიადაგების შენარჩუნება მინიმალური დანაკარგებით, რომელიც თავის მხრივ ხელს შეუწყობს გარემოსთან კაცობრიობის ჰარმონიულ თანამცხოვრებას და მდგომარეობის რადიკალურ გაუმჯობესებას. ნიადაგის დეგრადაციის დასაშვები ნორმების დადგენა საშუალებას იძლევა დავიცვათ ნიადაგი მატების ტენდენციის მქონე კატასტროფული გარეცხვებისგან, ამასთან მათი საშუალებით შესაძლებელია იმ გადაწყვეტილებათა მიღების კრიტერიუმების ფორმულირება რომელთა საშუალებით დაიგეგმება ნიადაგის დაცვისა და აღდგენის ღონისძიებები. საქართველოს ძირითადი ნიადაგებისათვის განსაზღვრულ იქნა დრო, რომლის განმავლობაშიც თითოეული ნიადაგი აღწევს დეგრადაციის ზღვრულ მნიშვნელობებს.

6. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, ატმოსფერომ, როგორც გარემოს ერთ–ერთმა ძირითადმა კომპონენტმა, მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა კლიმატის ცვლილება და მისი ზემოქმედება ადამიანსა და გარემოზე. სტატიაში აღწერილია აეროზოლებისა და მავნე ნივთიერებების გამონაბოლქვის დინამიკა საქართველოს რეგიონებისა და ქალაქების მიხედვით 2001–2010 წლებში. „სათბური გაზების“ ემისიის დინამიკა ტრანსპორტის სექტორში ცალკეა შეფასებული. 2010 წლისთვის, საქართველოში მოქმედი ქარხნებიდან სამრეწველო ნარჩენებმა 30134 ათასი ტონა შეადგინა წელიწადში. მათ შორი: მყარი დამაბინძურებლები – 3658 ათ. ტ., თხევადი და გაზობრივი – 26476 ათ. ტ. ყველაზე დაბინძურებულია იმერეთი, ქვემო ქართლი, აჭარა და შიდა ქარტის ზოგიერთი რეგიონი, რომლებიც 89%–ს შეადგენენ. ყველაზე დაბინძურებული ქალაქებია: ბათუმი, თბილისი, გარდაბანი, რუსთავი და კასპი, რაც იქვევს აეროზოლების ემისიის 69%-ს. ყველაზე დამაბინძურებელი წყაროებია: ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკის სექტორი და მრეწველობა. შეფასებულ იქნა მეტეოროლოგიური პირობების გავლენა ატმოსფეროს დაბინძურებაზე თბილ და ცივ სეზონებზე. გამოვლენილია კორელაცია მეტეოროლოგიურ ელემენტებსა და ატმოსფეროს დამაბინძურებელ ინგრედიენტებს შორის. საქართველოს ფიზიკურ–გეოგრაფიული კომპლექსები (მაღალი მთები, დახურული ხეობები, მდიდარი წყლის რესურსები), ისევე როგორც მეტეოროლოგიური პირობები (სინოპტიკური პროცესები, ინვერსია, იზოთერმია) განაპირობებენ ნიადაგებში აეროზოლების დაგროვებას და მიკროკლიმატის შესაძლო ცვლილებას.

7. მსოფლიოს საზღვაო ქვეყნების (მათ შორის საქართველოს) ეკონომიკური განვითარება პირდაპირ კავშირშია სანაპიროს ეკოლოგისთან და ქვეყანაში მიმდინარე ბუნებრივ და ანთროპოგენურ პროცესებთან, რომლებიც განსაზღვრავს მის მდგრადობას და ექსპლუატაციის შესაძლებლობებს. სანაპირო ზონაში განლაგებულია ურბანიზებული ტერიტორიები, სასოფლო-სამეურნეო მიწები, ავტომაგისტრალები, დასასვენებელი კომპლექსები. სამწუხაროდ, სანაპიროს დაცვითი ღონისძიებების არაეფექტურობამ და შეზღუდულმა დაფინანსებამ გამოიწვია საქართველოს სასაზღვრო ზოლის ეროზია. სანაპიროზე არ შეიძლება იყოს განხილული, როგორც იზოლირებული ორგანო, რადგან ის არის ნაწილი ერთიანი ბუნებრივი სისტემისა. ამიტომ, ბუნებრივი მოვლენების, ან ტექნოგენური ზემოქმედებით გამოწვეული ცვლილებები აისახება მეზობელი ქვეყნების სანაპიროებზეც. მთლიანობაში, ადამიანის ჩარევა ბუნებრივ პროცესებში (პლაჟების ნატანის მოხსნა, სამდინარო არხების რეგულირება,

კაშხლებისა და წყალსაცავებისს ასევე საპორტო ნაგებობების კონსტრუირება სანაპირო ზოლში) არა მხოლოდ აუმჯობეს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, არამედ მიმდინარე ბუნებრივ მოვლენებთან ერთად, ზღვის დონის აწევის გამო, აქტიურდება ქარიშხლები, მიწის წყალდიდობები, პროვოცირდება სანაპიროს ეროზიის ზრდის ტენდენცია, აქტიურდება პლაჟების გაუჩინარება, რაც ემუქრება იქ განლაგებული ინფრასტრუქტურის განადგურებას და დიდ მატერიალურ ზარალს, რომლის აღდგენაც რამდენიმე მილიარდ აშს დოლარს საჭიროებს. განხილულია საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს ეროზიის პრობლემა და ყველა საჭირო ზომა მისი დაცვისათვის კონცეპტუალური მიდგომების საფუძველზე, რომელიც ასევე გულისხმობს ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას და პლაჟების დაცვის მეთოდებს. ამ წინადადების პრაქტიკაში განხორციელების შემთხვევაში, დაგეგმილი კვლევის შედეგები შეიძლება ფართოდ იქნას გამოყენებული ნებისმიერი ზღვის როგორც ქვიშიანი, ისე ქვიშიან-ხრეშიანი პლაჟებისთვის.

8. სხვადასხვა მონაცემებზე დაყრდნობით, გამოვლენილია კოლხეთის დაბლობისა და მიმდებარე მთისწინების ანთროპოგენური ტრანსფორმაცია. რამდენიმე რუკის გამოყენებით (მცენარეული, ლანდშაფტური, ტოპოგრაფიული), რომლებიც სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებს ასახავენ, განსაზღვრულია მათი ცვლილების ხარისხი. მონაცემთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ კოლხეთის ლანდშფტების ანთროპოგენური ტრანსფორმაციას მრავალფეროვანი ხასიათი აქვს და ეს მრავალფეროვნება დაკავშირებულია მრავალ ფიჯიკურ-გეოგრაფიულ და ადამიანურ ფაქტორთან.

9. კლიმატის ცვლილება იწვევს ჰიდროლოგიური ციკლის ინტენსიფიკაციას და ექსტრემალური მოვლენების გააქტიურებას. დატბორვის რისკის შეფასება, მისი პროგნოზირება და ჰიდრო-ლოგიური პროფილაქტიკა წარმოადგენენ ძირითად საშუალებას წყალდიდობის შედეგების შესარბილებლად. წყალდიდობის რისკი გულისხმობს წყალდიდობების შექმნის ალბათობას და ზემოქმედების შედეგებს ბუნებრივ და ეკონომიკურ ობიექტებსა და მოსახლეობაზე. შემთხვევითი პროცესების თეორიისა და მათემათიკური სტატისტიკის მეთოდების ერთიანობა ამ პრობლემის რაციონალური გადაჭრის შესაძლებლობას იძლევა. არსებობს სამი განსხვა-ვებული პრობლემა, რომლებიც იქმნება წყალდიდობის დროს: ჰიდროტექნიკური ნაგებობების საიმედობა, მდინარეთა ხეობების გადავსება და დატბორვა; ნაპირების გადარეცხვა. დატბორვის რისკის შეფასებისას მთავარ ამოცანას წარმოადგენს წყლის კრიტიკული დონე მდინარის გადადინებისას, ზარალის შეფასება სხვადასხვა სიტუაციაში. დატბორვის რისკის შეფასებისას, შეთავაზებულია მაქსიმალური ვარდნის გაანგარიშებები თვეების მიხედვით, რაც უფრო პროგ-ნოზირებადია, ვიდრე სეზონული და წლიური მაქსიმუმები. ყოველთვიური ნაკადების პროგნოზული მოდელები შემუშავებულია ბევრ მდინარეზე და წარმატებით მუშაობს. გაან-გარიშებები იმედს იძლევა უფრო ეფექტური პროგნოზული მოდელების შესამუშავებლად.

10. სამცხეში მეურნეობის დარგებიდან უმნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობა, რომლის წარმოების თვალსაზრისით რეგიონს მაღალი პოტენციალი აქვს. ამაზე მიუთითებს საკმაოდ ნაყოფიერი და მრავალფეროვანი ნიადაგები. სამცხეში ნაყოფიერებით გამოირჩევა ტყის ყავისფერი, მდელოს ყავისფერი, რუხი ყავისფერი და ტყის ყომრალი ნიადაგები. მათ წილად მოდის სასოფლო სამეურნეო სავარგულების ძირითადი ნაწილი. აქ არსებული მცირე ზომის სარწყავი არხები საქართველოს და მთლიანად კავკასიის მთიანი რაიონების სარწყავი არხების ანალოგიურია. მათი ზომა, ნაგებობა, წყალმგამტარიანობა და რწყვის ეფექტიანობა შეხამე-ბულია მთიანი რელიეფის პირობებთან, აქაური სარწყავი არხები თავისი გამტარუნარიანობით მცირე ზომისანი არიან, უმრავლესობა გრუნტის, ან მოუპირკეთებელი კალაპოტისაა. მელიორაციული სისტემების მოწესრიგება და აქ გავრცელებული ნიადაგები, შესაძლებელს გახდის მნიშვნელოვნად გაიზარდოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოსავლიანობა.

11. ატმოსფერული ნალექები კლიმატის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია, რომელიც გავლენას ახდენს ჰავაზე და განაპირობებს მცენარეთა ტენით უზრუნველყოფის ხარისხს. ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა სამცხე-ჯავახეთში 400-1,400 მმ ფარგლებში მერყეობს. მინიმალურია ჯავახეთის ზეგანსა და ახალციხის ქვაბულში, მაქსიმა-ლური - აჭარა-იმერეთისა და არსიანის ქედების მაღალმთიან ზონაში. ჯავახეთის პლატოზე სიმაღლის მიხედვით, ნალექები ჯერ მცირდება, შემდეგ იზრდება. მდ. ფარავნის აუზში ზ.დ. 1,400 მ-ზე საშუალოდ ყოველ 100 მ-ზე ნალექები მცირდება 6-17 მმ-თ, ხოლო 1,400 მ ზევით,

ჯერ მცირედ (4-20 მმ), შემდეგ მნიშვნელოვნად იზრდება (100 მ-ზე 44-76 მმ-ით). ერთი თვის განმავლობაში მოსული ნალექების მაქსიმალური რაოდენობა წლის ცივ პერიოდში 202 მმ, უმცირესი - 0.1 მმ. სიმაღლის მიხედვით იცვლება ნალექების განაწილებაც. დაბალ ნაწილში თხევადი ნალექებზე მოდის 75%, მყარიზე18%, შერეულზე 8%; მაღალმთიანში შესაბამისად 60%, 31% და 9%. მაღალმთიანეთში ნალექები მყარი სახით მთელი წლის განმავლობაშია, დაბალ ნაწილებში - სექტემბრიდან მაისამდე. თბილ პერიოდში მოსული ნალექების რაოდენობა იცვლება 380-დან 621 მმ-მდე, ცივ პერიოდში 140-დან 328 მმ-მდე. ნალექების ტერიტორიულ განაწილებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს რელიეფის ფორმები. რეგიონი ყოველი მხრიდან შემოსაზღვრულია მაღალი ქედებით, რომელიც ატმოსფეროს ცირკულაციურ პროცესებს გარდაქმნის და აფერხებს ჰაერის მასების თავისუფალ გადაადგილებას. ამიტომ რეგიონში ჰაერის მასები დაღმავალი ხასიათისაა, მასში ტენის რაოდენობა მცირდება (შეზღუდულია კონდენსაცია), შედეგად სამცხე–ჯავახეთის ძირითად ტერიტორიაზე მცირე ნალექი მოდის. რეგიონში ნალექების წლიური განაწილების კონტინენტური ტიპია გაბატონებული.

12. ნაშრომის მთავარი მიზანია საქართველოს ლანდშაფტების სივრცე-დროითი მოდელის მეთოდოლოგიური საფუძვლის შემუშავება, რომელიც საშუალებას გვაძლევს დადგინდეს სხვადასხვა ლანდშაფტში მიმდინარე ტენდენციები, როგორიცაა ჰუმიდურობა/არიდულობა, ბიოპროდუქტიულობის ზრდა-შემცირება და სხვ. საქართველოს ლანდშაფტთა კადასტრული მონაცემების, გის-ტექნოლოგიებისა და თემატური კარტოგრაფირების საფუძველზე ლანდშაფტში მიმდინარე ძირითადი ტენდენციები გამოვლინდა. კლიმატის ცვლილება ლანდშაფტებში რამდნეიმე მაჩვენებლით შეფასდა: ტყიანობა, სასოფლო-სამეურნეო-სავარგულები, ფრაგმენტაცია, მცენარეთა პროდუქტიულობა.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Matchavariani L. Nikolaishvili D.	Evaluation of Landscapes' Sensitivity in Georgia according to Geomorphologic & Edaphic Factors	International Conference "Applied Ecology: Problems, Innovations" ICAE-2015 7-10 May, 2015, Tbilisi-Batumi http://icae-2015.tsu.ge/
2	Matchavariani L. Metreveli G. Tsivtsivadze N.	Modern methods for realization of joint problems of hydro-energetic and shore protection	The First SDSU–Georgia STEM Workshop on Nanotechnology & Environmental Sciences. 5 Sept., 2015, TSU http://sdsu-georgia.stem.2015.tsu.ge/en/
3	Tsivtsivadze N. Kereselidze D. Matchavariani L. Lagidze L. Motsonelidze N. Ivanov G.	Preventive Measures for Georgian Black Sea Coast Erosion	The First SDSU–Georgia STEM Workshop on Nanotechnology & Environmental Sciences. 5 Sept., 2015, TSU http://sdsu-georgia.stem.2015.tsu.ge/en/
4	Matchavariani L. Nikolaishvili D.	A Method of Approach to Landscape Stability According to Topographic Features	Network Conference "Human & Environmental Resources in Multiethic Societies", dedicated to the 10 years cooperation of TSU and Justus-Liebeig University, Giessen. 5-7 Nov., 2015, TSU
5	ლ. მაჭავარიანი დ. ნიკოლაიშვილი	გეოგრაფიული ფაქტორების გავლენა ლანდშფტთა მგრძნობელობის შეფასებაზე საქართველოში	მესამე სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში – ზსმ-2015, 2-7 თებერვალი, 2015, თსუ

			http://conference.ens-2015.tsu.ge/lecture/view/222
6	Kalandadze B. Felix-Henningsen P.	Pollution of the Irrigation Soils and Cultural Crops with Heavy Metals in the River Kvirila Basin in West Georgia due to the Operation of Ore-dressing and Processing Enterprises	International Conference "Applied Ecology: Problems, Innovations" ICAE-2015 7-10 May, 2015, Tbilisi-Batumi http://icae-2015.tsu.ge/
7	Kalandadze B. Tolordava R. Nikolaishvili D.	Ecological Problems of Samtskhe-Javakheti Agriculture	International Conference "Applied Ecology: Problems, Innovations" ICAE-2015 7-10 May, 2015, Tbilisi-Batumi http://icae-2015.tsu.ge/
8	Kalandadze B. Hanauer T. Kalandadze I.	Quantitative evaluation of the impact of heavy metals on soil productivity on the example of ore dressing and processing industry	The First SDSU–Georgia STEM Workshop on Nanotechnology & Environmental Sciences. 5 Sept., 2015, TSU http://sdsu-georgia.stem.2015.tsu.ge/en/
9	Nikolaishvili D. Trapaidze V. Kalandadze B. LagidzeL. Sartania D. Tolordava R.	Landscape Planning of Samtskhe-Javakheti	The First SDSU–Georgia STEM Workshop on Nanotechnology & Environmental Sciences. 5 Sept., 2015, TSU http://sdsu-georgia.stem.2015.tsu.ge/en/
10	Kalandadze B. Nikolaishvili D. Trapaidze V. LagidzeL. Sartania D.	Geo-ecological Problems of Samtskhe-Javakheti Region	Network Conference "Human and Environmental Resources in Multiethic Societies", dedicated to the 10 years cooperation of TSU and Justus-Liebeig University, Giessen. 5-7 Nov., 2015, TSU
11	ბ. კალანდაძე, რ. ალექსანდერ-დიურინგი, ე. ბაბაევი	მდგრადი ორგანული ნივთიერებების (TransPOP) ნარჩენები და მისი პოლუტანტები სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში (კახეთი)	მესამე სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში – ზსმ-2015, 2–6 ოქტომბერი, 2015, თსუ http://conference.ens-2015.tsu.ge/lecture/view/260
12	ე. ნიკოლაიშვილი გ. აფციაური ი. შელია	ყავისფერი ნიადაგების დახასიათება ქვემო ქართლის ნიადაგების მაგალითზე	საერთაშორისო კონფერენცია „გამოყენებითი ეკოლოგია: პრობლემები, სიხლეები", ICAE-2015 7-10 მაისი, 2015, თბილისის- ბათუმი http://icae-2015.tsu.ge/

მოხსენებათა ანოტაციები (ქართულ ენაზე)

1. ლანდშაფტების თანამედროვე მდგომარეობისა და მგრძნობელობის შეფასება გეოგრაფიული კვლევის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. მისი დახმარებით შესაძლებელია, ერთი მხრივ, ლანდშაფტის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის გამოვლენა, მეორეს მხრივ, მიმდინარე ტენდენციების იდენტიფიკაცია. ეს საშუალებას გვაძლევს განისაზღვროს ლანდშაფტის მდგრადობის ხარისხი სხვადასხვა ბუნებრივი და ანთროპოგენური ზემოქმედების მიმართ. ასევე განისაზღვროს, თუ რა ხარისხის „ანთროპოგენურ ზეწოლას" ზოგადად შეუძლია გაუძლოს ლანდშაფტმა. ასეთი კვლევები უზრუნველყოფს სამეცნიერო საფუძველს მდგრადი ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვისათვის. გაანალიზებულია ძირითადი გეომორფოლოგიური და ნიადაგური პარამეტრებირომლის საფუძველზევ მოხდა ლანდშაფტთა მგრძნობელობის

დადგენა: ზედაპირის დახრილობა, მიგრაციის რეჟიმის ასიათი, რელიეფის დანაწევრების სიხშირე, ნიადაგწარმოქმნელი ქანების სიმკვრივე და სხვ. დადგინდა, რომ საქართველოს ლანდშაფტები საკმაოდ განსხვავდება მგრძნობელობის მიხედვით. კვლევის შედეგადა: შემუშავდა ლანდშაფტთა მგრძნობელობის კრიტერიუმები გეოგრაფიულ ფაქტორებთან მიმართებაში; დადგინდა ლანდშაფტთა მგრძნობელობის ხარისხი საქართველოს ტერიტორიაზე (ძალიან მგრძნობიარე, მგრძნობიარე, საშუალოდ მგრძნობიარე, დაბალი მგრძნობიარე, ძალიან დაბალი მგრძნობიარე); შემუშავდა საქართველოს ლანდშაფტთა მგრძნობელობის კლასიფიკაცია, შეიქმნა თემატური რუკების სერია; გამოვლინდა ლანდშაფტთა მგრძნობელობის ტერიტორიული განაწილების თავისებურებანი.

2. სანაპირო ზღვის ტალღის გავლენისგან დაცულია მორფოლოგიური ფორმით - პლაჟით, რომელიც შედგება მდინარეული ნალექებით (ქვიშა, ხრეში, კენჭის და ა. შ.) დაგროვილი ფენისგან. იგი მუდმივად იცვლის საკუთარ ზომებს, დამოკიდებულია მდინარისგან მოტანილი ინერტული მასალის სიმრავლეზე და ზღვის ტალღის აქტივობაზე. გარდა ამისა, მასზე გავლენას ახდენს ადამიანის საქმიანობა სანაპირო ზონაში და დამოკიდებულია მდინარის ზემო წელში აგებული წყალსაცავების როგორც ბუნებრივ ჰიდროლოგიურ, ისე ტექნიკურ რეჟიმებზე. ჰიდროენერგოეფექტურობის სექტორის გაუმჯობესება მძიმე ეკოლოგიურ პრობლემას უქმნის მოსახლეობას. შეთავზებულია პერიოდულად ეროზირებული პლაჟების ხელოვნური შევსება წყალსაცავებში დაგროვილი მდინარეული ნალექით. შედეგად, მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებლის მიღწევაა შესაძლებელი გარემოს დაზიანებისა და დანაკარგების გარეშე. ამ მეთოდის მომხმარებელი შესაძლება იყოს ნებისმიერი ზღვისპირა ქვეყანა, რომელსაც მაღალი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი გააჩნია და სადაც ზღვაში ჩამდინარე მდინარეები გადაკეტილია მთის წყალსაცავებით, რაც სანაპირო ზოლშ ნალექის მკვეთრ დეფიციტს იწვევს.

3. მე-20 საუკუნეში მთელს მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც შეიმჩნევა ნაპირების წარეცხვის არეალების და ინტენსივობის ზრდა დროის მცირე, საინჟინრო პერიოდში, მათ შორის, ტექტონიკური აწევის სტადიაში მყოფ უბნებზეც, რაც აქ განლაგებულ ობიექტებს განადგურებითა და კატასტროფული მატერიალური ზარალით დაემუქრა. საქართველოში გამოყენებული, ნაპირდაცვის ტრადიციული ნაგებობები არა თუ არ იძლეოდნენ რაიმე დადებით ეფექტს, არამედ პირიქით იწვევდნენ სანაპირო ლანდშაფტის ტექნოლოგიური გადატვირთვის ხარისხის ზრდას, უმეტეს შემთხვევაში ხელს უშლიდნენ ნატანის ნაპირგასწვრივ გადაადგილებას, ხელს უწყობდნენ მისი ბალანსის დარღვევას და შედეგად სანაპირო ზოლის შევიწროებასა და არსებული პლაჟების- ნაპირდაცვის საუკეთესო მორფოლოგიური ფორმის წარეცხვებს. ნაპირდაცვის ღონისძიებების ჩატარების აუცილებლობის ყოველწლიური ზრდის გამო, წარმოიქმნა მათი ღირებულების შემცირების მნიშვნელოვანი პრობლემა, რომლის გადაწყვეტის რაციონალურ გზას ახალი მეთოდების შესაბამისი ტექნოლოგიების დანერგვა და დაბალფასიანი სამშენებლო მასალის გამოყენება წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ჩვენს მიერ შემოთავაზებული ნაპირის აღდგენა-დაცვის ღონისძიების მეთოდი, ტრადიციულ ნაპირსამაგრ ნაგებობების მშენებლობაზე მნიშვნელოვნად იაფია, არ საჭიროებს დიდ დროს, მისი აგება ადგილზევე შეიძლება, როგორც ნაპირიდან ასევე ზღვიდან. ეროდირებული პლაჟის აღდგენა, განიერის შექმნა, შესაბამისი რეცრეაციული მომსახურების ფართო სპექტრითა და ინფრასტრუქტურით, გაზრდის სანაპიროს მიმზიდველობას, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს დასაქმებულთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და მთლიანობაში ხელს შეუწყობს სანაპირო რეგიონების მდგრად განვითარებას.

4. რაციონალური ბუნებათსარგებლობის ძირითადი კითხვების გადასაწყვეტად ძალზე მნიშვნელოვანია ლანდშაფტების სტაბილურობის განსაზღვრა ტოპოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით. თავის მხრივ, ეს ლანდშაფტის, ბუნებრივი და რესურსული პოტენციალის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა და ამდენად აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. ძირითადი ტოპოგრაფიული მახასიათებლების ანალიზზე დაყრდნობით შეფასდა ლანდშაფტების მგრძობიარობა. ეს მახასიათებლებია მახასიათებლები: ზედაპირის დახრილობა, რელიეფის დანაწევრების ხარისხი, მიგრაციის რეჟიმი, ნიადაგწარმოქმნელი ქანების სიმკვრივე, ნიადაგის სტრუქტურა, მექანიკური შედგენილობა და სხვ. საქართველოს ლანდშაფტების მგრძნობელობა

ფასდებოდა როგორც თითოეული პარამეტრისათვის ცალ-ცალკე, ისე კომპლექსურად. გეოგრაფიული ფაქტორების ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველოს ლანდშაფტები განსხვავდება მგრძნობელობის მიხედვით. კვლევის ძირითადი შედეგები: გეოგრაფიულ ფაქტორების გათვალისწინებით ლანდშაფტთა მგრძობელობის შეფასების კრიტერიუმების შემუშავება; რუკების ოვერლეის გამოყენებით, საქართველოს ლანდშაფტთა მგრძობელობის ხარისხის განსაზღვრა; საქართველოში ლანდშაფტთა მგრძნობელობის ტერიტორიული განაწილების თავისებურებების გამოვლენა; შემუშავდა საქართველოს ლანდშაფტთა მგრძნობელობის კლასიფიკაცია; გის-ანალიზზე დაყრდნობით შეიქმნა საქართველოს ლანდშაფტთა მგრძნობელობის თემატური რუკები.

5. ლანდშაფტთა მგრძნობელობის შეფასება შესაძლებელს ხდის: გამოვლინდეს ლანდშაფტის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი და მიმდინარე ტენდენციები; განისაზღვროს ლანდშაფტთა მდრადობის ხარისხი სხვასხვა ბუნებრივ-ანტროპოგენური ზემოქმედებისადმი; დადგინდეს მათი გამძლეობის დონე. მთლიანობაში, ამგვარი კვლევები განაპირობებს ეკოლოგიური ბუნებათსარგებლობის მდგრადობისათვის სამეცნიერო საფუძვლების შემუშვებას. ლანდშაფტთა მგრძნობელობის შეფასება ხორციელდებოდა ძირითადი გეოგრაფიული (მათ შორის ნიადაგური) ფაქტორების ანალიზის საფუძველზე. გაანალიზებულია ისეთი გეოგრაფიული პარამეტრები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ლანდშაფტის მგრძნობელობაზე: ზედაპირის დახრილობა, მიგრაციის რეჟიმი, რელიეფის დანაწევრების ხარისხი, ქანების სიმკვრივე, ნიადაგის სტრუქტურა და მექანიკური შედგენილობა. საქართველოს ლანდშაფტების მგრძნობელობა ფასდებოდა როგორც თითოეული პარამეტრისათვის ცალ-ცალკე, ისე კომპლექსურად. გეოგრაფიული ფაქტორების ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველოს ლანდშაფტები განსხვავდება მგრძნობელობის მიხედვით. გარდა ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში გადამწყვეტი აღმოჩნდა არა ერთი, არამედ რამდენიმე მაჩვენებელი ერთად. ამგვარად, შესწავლის შედეგად: შემუშავდა ლანდშაფტთა მგრძნობელობის კრიტერიუმები გეოგრაფიულ ფაქტორებთან მიმართებაში; დადგინდა ლანდშაფტთა მგრძნობლობის ხარისხი საქართველოს ტერიტორიაზე (ძალიან მგრძნობიარე, მგრძნობიარე, საშუალო მგრძნობიარე, დაბალი მგრძნობიარე, ძალიან დაბალი მგრძნობიარე); შემუშავდა საქართველოს ლანდშაფტთა მგრძნობელობის კლასიფიკაცია და შეიქმნა თემატური რუკების სერია; გამოვლინდა ლანდშაფტთა მგრძნობელობის ტერიტორიული განაწილების თავისებურებანი საქართველოში და სხვ.

6. დღეისათვის მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი პრობლემაა გარემოს გლობალური გაჭუჭყიანება. ქიმიური ელემენტების გაბნევა ხშირად გაუთვალისწინებელი მოვლენაა. ეს შეიძლება იყოს ნიადაგების, წყალსატევებისა და ჰიდროქსელის დაბინძურება წარმოების ნარჩენებით, გაუთვალისწინებელი საწარმოო წყლების ჩაშვებები ავარიული სიტუაციების დროს, ატმოსფეროში ტექნოგენური აეროზოლების გატყორცნა და ა.შ. მანგანუმის მადნის მოპოვება ძირითადად ხდება ღია კარიერული წესით. იმის გამო რომ საწარმოში მიმდინარეობს მადნის გამდიდრების პროცესი და საწარმოო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა ძალიან მოძველებულია მდ.ყვირილა მუდმივად ბინძურდება მანგანუმის მადნის მინარევებისაგან. მდინარე ყვირილაში მანგანუმის მადნის შემცველობა 10-12%-ია. საველე კვლევებისა და ანალიზური მონაცემებით დადგენილია, რომ გარდა მანგანუმისა ნიადაგი და კულტურული მცენარეები ბინძურდება სხვადასხვა მძიმე მეტალებით, როგორიცაა ნიკელი, დარიშხანი და სხვა.

7. კვლევის მიზანია ტერიტორიული დაგეგმარებისათვის სამცხე-ჯავახეთის ლანდ-შაფტურ-ეკოლოგიური მოდელის შექმნა რომლითაც დაინტერესებული მხარეები მიიღებენ სათანადო ინფორმაციას და განსაზღვრავენ ლანდშაფტებში მოსალოდნელ ცვლილებს. კვლევის ამოცანებია საკვლევი რეგიონის: ლანდშაფტთა გეოეკოლოგიური (კლიმატი, ჰიდროლოგია, ნიადაგები და ა.შ.) ინვენტარიზაცია როგორც საფონდო მასალების დამუშავების ისე საველე-საექსპედიციო კვლევის შედეგად, გის-ის მონაცემთა ბაზის შექმნა, რეგიონის მსხვილმასშტაბიანი შეფასება და მდგრადი ბუნებათსარგებლობისათვის რეკომენდაციების შემუშავება.

8. ქვემო ქართლის ნაყოფიერ სარწყავ ნიადაგებზე კარგი სასოფლო-სამეურნეო მოსავლის მიღებაა შესაძლებელი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მდინარის წყალი, რომელიც ირიგაციის მიზნით გამოიყენება, ბინძურდება მძიმე ლითონებით მდ. მაშავერას შუა წელის მთიან ზონაში.

ჩამდინარე წყლები ფლოტაციის ქარხნიდან, ეროზიული მასალა საბადოებიდან და მაღაროს მჟავე წყლები იწვევს მდინარის წყალში შეტივნარებული და გახსნილი სულფიდური მძიმე ლითონების წარმოქმნას. სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მიერ სპილენძის, თუთიისა და კადმიუმის შეთვისებადობაზე ანალიზმა ცხადყო, რომ აღნიშნული ელემენტები ხვდება კვებით ჯაჭვში და საფრთხეს უქმნის ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობას. ლაბორატორიული ექსპერიმენტები ცხადყოფს, რომ ამ ლითონების ადგილობრივი იმობილიზაცია რკინის ოქსიდებით წარმოადგენს კვლევის უბნის აღდგენის მისაღებ ზომას. აღნიშნული მეთოდების ბუნებრივ პირობებში გამოცდის მიზნით ნულოვანი ვალენტობის რკინის ოქსიდის გამოყენებით ნიადაგებში დამუშავდა 1% (Feo) რკინის ოქსიდით, მობილური სპილენძისა და კადმიუმის შემცველობა მნიშვნელოვნად შემცირდა (შესაბამისად 20%. 51%). მაშინ, როდესაც საკონტროლო ნიადაგებში მნიშვნელოვანი ცვლილება ამ მიმართულებით არ დაფიქსირებულა. მობილური ლითონების შემცველობის შემცირების ეფექტურობა მცირდებოდა შემდეგი მიმდევრობით: Cu>Cd>Zn. თუმცა, მცენარის (შპინაცია ოლერაცეა) მიერ მძიმე ლითონების შეთვისებაზე გავლენას არ ახდენს საველე ექსპერიმენტში გამოყენებული ნიადაგის დამუშავება. ამდენად, რკინის ოქსიდის, როგორც აღდგენის ადგილობრივი საშუალების გამოყენება საკვლევი უბნის ნიადაგის ზედა ფენებში მხოლოდ შეზღუდული ეფექტურობით ხასიათდება.

9. სამცხე-ჯავახეთი საქართველოს მნიშვნელოვანი რეგიონი და ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინცია. რეგიონი მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებითა და რესურსებით ხასიათდება (მინერალური წყაროები, სასოფლო სამეურნეო სავარგულები, ტბები, ქარისა და მზის ენერგია, ხელუხლებელი ლანდშაფტები, სხვადასხვა სახის სასარგებლო წიაღისეული და სხვ.). რეგიონს გააჩნია მაღალი ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალი. აქ გადამწყვეტი ადგილი უკავია აგრარულ სექტორს. დარგის წილად მოდის მთლიანი შიდა პროდუქტის 49% და დასაქმებულია შრომითი რესურსების უდიდესი ნაწილი. რეგიონის პერიფერიულ ნაწილში მდებარეობა, მემკვიდრეობის სახით შემორჩენილი ბუნებათსარგებლობის პრაქტიკა, ეთნოგრაფიული და რელიგიური მრავალფეროვნება განაპირობებს მხარის თავისებურებას. მიუხედავად მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებისა გარემოზე როგორც ბუნებრივი ისე ანთროპოგონური დატვირთვები აფერხებს რეგიონის წინსვლას. მნიშვნელოვანი ეკოლოგიური პრობლემებია: ნიადაგის ეროზია და დეგრადაცია, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში ქიმიური სასუქების ინტენსიური გამოყენება, წყლის რესურსების არათანაბარი გადანაწილება და მოძველებული ინფრასტრუქტურა, გეოდინამიკური პროცესების ინტენსივობა, არაკონტროლირებადი ძოვება, ნარჩენების განთავსება და სხვა. ყოველივე ეს კი განაპირობებს ბიომრავალფეროვნების შემცირებას. ცხადია პრობლემები მრავალწახნაგოვანია და საჭიროებს ბუნებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და ისტორიულ-კულტურული ასპექტების ერთობლივ ანალიზს. ასეთი ინტეგრირებული კვლევები მთელ რიგ პრობლემებთანაა დაკავშირებული, მეტადრე ისეთ რეგიონში როგორც სამცხე-ჯავახეთია. კვლევის მიზანია უმთავრესი გეოეკოლოგიური პრობლემების შესწავლა და ანალიზი და შესაბამისად გარემოზე მოქმედი იმ მნიშვნელოვანი რისკების შეფასება რომლებიც არსებობს რეგიონში.

10. კვლევის მიზანია ტერიტორიული დაგეგმარებისათვის სამცხე-ჯავახეთის ლანდ-შაფტურ-ეკოლოგიური მოდელის შექმნა რომლითაც დაინტერესებული მხარეები მიიღებენ სათანადო ინფორმაციას და განსაზღვრავენ ლანდშაფტებში მოსალოდნელ ცვლილებს. კვლევის ამოცანებია საკვლევი რეგიონის: ლანდშაფტთა გეოეკოლოგიური (კლიმატი, ჰიდროლოგია, ნიადაგები და ა.შ.) ინვენტარიზაცია როგორც საფონდო მასალების დამუშავების ისე საველე-საექსპედიციო კვლევის შედეგად, გის-ის მონაცემთა ბაზის შექმნა, რეგიონის მსხვილმასშტაბიანი შეფასება და მდგრადი ბუნებათსარგებლობისათვის რეკომენდაციების შემუშავება.

11. გარემოს დაბინძურება მძიმე ლითონებით, აზოტისა და გოგირდის ოქსიდებით, ქლორორგანული და ფოსფორული ნაერთებით, პესტიციდებითა და სხვა მრავალი ტოქსიკური ნაერთებით დღეისათვის აქტუალური პრობლემაა. თანამედროვე აგრარული მეურნეობა ხასიათდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების დასამუშავებლად ინდუსტრიული ტექნოლოგიების ფართო დანერგვით, რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებს ტექნიკური საშუალებების – პესტიციდების ინტენსიურ მოხმარებას. მცენარეთა დაავადებების, მავნებლებისა და სარეველების წინააღმდეგ პესტიციდების გამოყენება საშუალებას იძლევა მოკლე დროში, შრომისა და სახსრების ნაკლები

დანახარჯებით ეფექტურად დავიცვათ მცენარეები და შევაჩეროთ სხვადასხვა დაავადებებისა და მავნებლების მასიური გავრცელება. რთულია პესტიციდების მოხმარებით მიღებული სარგებლის და პარარელურად ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანების და გარემოს დაბინძურების რისკის შეფასება ან გაზომვა და მისი წარმოდგენა რაიმე ერთეულებში.

12. საველე კვლევის თანამედროვე მეთოდებით (კოდირების სისტემის გამოყენებით) ველზე აღწერილია ქვემო ქართლის ყავისფერი, კარბონატული ყავისფერი და რუხი-ყავისფერი ნიადაგების მორფოლოგიური მახასიათებლების მთელი სპექტრი. განსაზღვრულია ნიადაგური არის რეაქცია (pH), კარბონატულობა ($CaCO_3$) და ჰუმუსი. საკვლევი ნიადაგების ჭრილები გაკეთებულია თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე, მტკვრის მესამე ტერასაზე და დიდ დიღომში, ასევე გარდაბნის რაიონის სოფ. ნახიდურში. საკვლევი ნიადაგები განთავსებულია ყამირ, ურბანულ და ინტენსიური სოფლის მეურნეობის ტერიტორიებზე. ნაშრომში მოცემულია აღნიშნული ნიადაგების შედარებითი დახასიათება ჩატარებული კვლევების შედეგად მიღებული მახასიათებლებით.

ბ) უცხოეთში

#	მომხსენებელი / მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Matchavariani L. Metreveli G. Tsivtsivadze N. Gulashvili Z.	Solution of Shore Protection & Hydro-energetic Problems for Georgian Black Sea Coastline	4th International Conference on Climate Change Adaptation-2015 2015, 22-23 Nov., Colombo, SRI-LANKA http://www.globalclimate.info/
2	Matchavariani L. Lagidze L. Paichadze N.	Intensity, Distribution & Role of Profile-forming Processes in Pedogenesis of Georgia	15th International Multidisciplinary Scientific Geo- Conference SGEM2015 „Ecology, Economics, Education & Legislation” 2015, 18-25 June, Albena, BULGARIA http://www.sgem.org/
3	Tsivtsivadze N. Khatiashvili E. Matchavariani L. Lagidze L.	Determination of Chlorine Optimal Dose for Drinking Water Disinfection	15th International Multidisciplinary Scientific Geo- Conference SGEM2015 „Ecology, Economics, Education & Legislation” 2015, 18-25 June, Albena, BULGARIA http://www.sgem.org/
4	Matchavariani L.	Ecological Aspects of Pedogenesis & Evaluation of Ecosystems in Georgia on the basis of Edaphic Factors	OMICS Group 4th International Conference on Earth Science & Climate Change 2015, 16-18 June, Alicante, SPAIN http://earthscience.conferenceseries.com/scientific-program.php?day=1&sid=682&date=2015-06-16
5	Kalandadze B. Trapaidze V.	Quantitative evaluation of the impact of heavy metals on soil productivity on the example of ore-dressing and processing production in east Georgia	15th International Multidisciplinary Scientific Geo- Conference SGEM2015 „Ecology, Economics, Education & Legislation” 2015, 18-25 June, Albena, BULGARIA http://www.sgem.org/
6	Hanauer T.,Vaschev B. Kalandadze B., Polenz K. Felix-Henningsen P.	Eigenschaften, Verbreitung und Nutzungspotenzial von Böden einer Hochgebirgsregion im Kaukasus NE-Georgiens	Meunchen, Germany, DBG-2015

7	Schatz M., Babaev E. Kalandadze B. Beuhm L. Deuring A.	Persistent organic pollutants in transcaucasian soils & sediments – The invisible heritage of former Soviet Union.	Leipzig, Germany 2015, 20-24 Sept.
8			

მოხსენებათა ანოტაციები (ქართულ ენაზე)

1. საქართველოს შავიზღვისპირა ზოლი, ზღვის აქტივობისა და მდინარის მიერ მოტანილი ინერტული მასალის სიჭარბის გამო, მუდმივად იცვლის პარამეტრებს. ის განიცდის ასევე ადამიანის ზემოქმედების გავლენას, როგორიცა წყალსაცავები და სხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობები. ამჟამად, მდიარეებზე აგებული ჰიდროტექნიკური წყალსაცავების კასკადები მნიშვნელოვნად ამცირებენ პლაჟების მოცულობას. კლიმატის ცვლილება კიდევ უფრო აძლიერებს აბრაზიის პროცესებს. ამჟამად, ორი ანტაგონისტური პრობლემაა აქტუალური: ჰიდროენერგეტიკის განვითარება; დეპოზიტების დეფიციტით გამოწვეული სანაპიროს ეროზია. ჰიდროენერგეტიკის პრობლემის რეალიზება წარმოშობს მესამე რთულ ეკოლოგიურ პრობლემას. ყველა პრობლემის ჰარმონიული გადაწყვეტა შესაძლებელია, თუ ეროზირებული პლაჟები პერიოდულად იქნება ხელოვნურად შევსებული იქნება წყალსაცავებში დაგროვილი ნატანით. აუცილებელია კარიერების სისტემის ორგანიზება წყალსაცავებში. შემოთავაზებული მეთოდის მნიშვნელოვანი უპირატესობებია: რაც უფრო მეტი მოცულობის ნალექი იქნება ამოღებული რეზერვუარიდან, მით უფრო მეტი მოცულობის სასარგებლო წყლის მარაგი დაგროცდება იქ. წყალსაცავი გადაიქცევა განახლებად წყაროს სხვადასხვა დიამეტრის სედიმენტისა და მუდმივად მიაწვდის ინერტულ მასალას ეროზირებული სანაპიროს შესავსებად.

2. საქართველოს ნიადაგების ძირითადი გეოგრაფიული პარამეტრების გამოვლენისას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ნიადაგწარმოქმნელი პროცესების (ჰუმიფიკაცია, გალეხება, გარკინიანება, ლესივირება, გათიხება, გაკარბონატება) მიკრომორფოლოგიურ დიაგნოსტირებას. თითოეული გენეტიკური ტიპისათვის გამოვლენილია ყველაზე დამახასიათებელ პროცესთა ჯგუფები: შავმიწა, ყავისფერ და მთელოს ყავისფერ ნიადაგებში გავრცელებული პროცესებია – ჰუმიფიკაცია-გალეხება-გაკარბონატება; რუხ-ყავისფერ, მდელოს რუხ-ყავისფერ და დამლაშებულ ნიადაგებში – გაკარბონატება გალეხებისა და ლესივაჟის მონაწილეობით; ყვითელმიწა, სუბტროპიკულ ეწერ და ეწერ-ლებიან ნიადაგებში – ლესივაჟი-გალეხება-გარკინიანება; წითელმიწა და ალუვიურ ნიადაგებში – ლესივაჟი-გარკინიანება; მთის შავმიწებში ჰუმიფიკაცია-გათიხება; ყომრალებში – გათიხება გარკინიანებისა და ლესივაჟის მონაწილეობით; მთა-მდელოს ნიადაგებში – ლესივაჟი, ნაწილობრივ გალეხება. შექმნილია კარტოგრაფიული მასალა, რომელიც ასახავს პროფილისმაფორმირებელი პროცესების გავრცელებასა და ინტენსურობას საქართველოს ნიადაგებში.

3. სასმელი წყალი დიდ გავლენას ახდენს მოსახლეობის სიცოხლის უნარიანობაზე, ამიტომ მოწოდებული წყლის რაოდენობისა და ხარისხის პრობლემა დიდ როლს ასრულებს ადამიანის ჯანმრთელობაზე. სამწუხაროდ, საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი იძულებულია ისარგებლოს წყლით, რომელიც არ შეესაბამება სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს. სასმელი წყლის დიდი ნაწილი დასახლებულ პუნტებში გამოედინება წყალსაცავებიდან, რომლებიც ივსება მდინარეებიდან, ან ტბებიდან, რომლებიც წვიმის წყლის, თოვლის ან მყივნარის მდნარი წყლის შემკრებებს წარმოადგენენ. ისინი ძირითადად დაბინძურებულია რამდენიმე ქიმიური და ორგანული ნივთიერებით, სხვადასხვა ნბაქტერიითა და მიკროორგანიზმით, რაც ნაწლავების დაავადებებს იწვევს. ამდენად, აქტუალური გახდა პრობლემა, რომელიც უკავშირდება საკითხს, თუ როგორ უნდა შემცირდეს წყლის დაბინძურება და თავიდან იქნას აცილებული ქლორირებული სასმელი წყლის მავნე ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე. ამ მიზნით ჩატარებული სამუშაო წარმოადგენს ქლორის ოპტიმალური დოზის განსაზღვრის მცდელობას სასმელი წყლის

პათოგენური ბაქტერიებისგან დეზინფექციის წყალმომმარაგებელ რეზერვუარებში, მაშინ როდესაც დამაბინძურებელი ორგანული ნივთიერება არსებობს წყალსაცავში.

4. დედამიწის ძირითად გეო-სფეროებს (ატმოსფერო, ჰიდროსფერო, ლითოსფერო, ბიოსფერო) შორის, თავისი კუთვნილი ადგილი უკავია პედოსფეროს. ყველა ბუნებრივი და ანთროპოგენური პროცესი, რომელსაც ადგილი აქვს თითოეულ ეკოსისტემაში, ნიადაგში აისახება. გეოგრაფიული კვლევების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა ეკოსისტემის მგრძობიარობის შეფასება. ეს საშუალებას აძლევა: დადგინდეს ლანდშაფტის პოტენციური და არსებული ტენდენციები; დადგინდეს მათი მდგრადობის დონე სხვადასხვა ბუნებრივი და ანთროპოგენური ზემოქმედების მიმართ; გაირკვეს მათი გამძლეობის დონე ანთროპოგენური ზეწოლის მიმართ. ამგვარი კვლევები საშუალებას იძლევა შეიქმნას სამეცნიერო საფუძველი მდგრადი გარემოსდაცვითი მენეჯმენტისა და სივრცითი დაგეგმარებისთვის. სხვადასხვა გეოგრაფიულ ფაქტორებთან ერთად (ზედაპირის დახრილობა, მიგრაციის რეჟიმი, რელიეფის დანაწევრების დონე და სხვ.), ძირითად ედაფურ პარამეტრებს უზარმაზარი გავლენა ქვს ეკოსისტემების მგრძნობელობაზე: დედაქანების სიმკვრივე, სტრუქტურა, მექანიკური შედგენილობა და სხვ. GIS-ზე დაყდნობითა და მათემატიკური სტატისტიკის მეთოდის გამოყენებით, შეფასებულია თითოეული ამ პარამეტრის მგრძობიარობა როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთიანად კერძოდ, ერთი გზაა ბალანსირების მონაცემები. გეო-ედაფური ფაქტორების ანალიზმა აჩვენა, რომ საქართველოს ეკოსისტემები განსხვავდება მგრძობიარობით. ზოგჯერ, რომელიმე ერთი ინდიკატორი ასრულებს მნიშვნელოვან როლს, ზოგიერთ შემთხვევაში კი - რამდენიმე მაჩვენებელი ერთად. საქართველოს ტერიტორიისთვის გამოიყო მგრძნობელობის შემდეგი დონეები: ძალიან მგრძნობიარე, მგრძნობიარე, საშუალო მგრძნობიარე, სუსტად მგრძნობიარე და ძალიან სუსტად მგრძნობიარე.

5. გარემოს გაჭუჭყიანების მრავალ ფაქტორთაგან მნიშვნელოვანია მძიმე მეტალებით ნიადაგისა და წყლის დაბინძურება. ზოგიერთი მათგანი ძალიან მაღალი ტოქსიკურობით გამოირჩევა და მათი დიდი რაოდენობით ცოცხალ ორგანიზმში მოხვედრა იწვევს ჯანმრთელობის მკვეთრ გაუარესებას, მით უმეტეს, რომ მძიმე მეტალების ნახევრად გამოძევების პერიოდი საკმაოდ დიდია, მაგ: Cd პერიოდია 1100 წელი, Cu-ის 310-1500 წელი, Pb-ის 310-5900 წელი, Zn-ის 510 წელი. გარემოს გაჭუჭყიანების სტრეს-ინდექსების მიხედვით, მძიმე მეტალებით გაჭუჭყიანება პირველ ადგილზეა, ჭარბი რაოდენობით მძიმე მეტალების ცოცხალ ორგანიზმში ან ნიადაგში მოხვედრა იწვევს ჯანმრთელობის მკვეთრ გაუარესებას., მკვეთრად ეცემა ნიადაგის ნაყოფიერების უნარიც. ამიტომ მძიმე მეტალების დაგროვების და მიგრაციის შესწავლა უმნიშვნელოვანესი და აქტუალურია. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ჩამდინარე წყლებით ნიადაგის მორწყვის გავლენა ქიმიურ შემადგენლობაზე. მძიმე მეტალებით გამდიდრებული ჩამდინარე წყლების სარწყავად გამოყენება სავალალო შედეგებს იძლევა.

6. AMIES II პროექტი გაგრძელებაა AMIES I პროექტისა, რომელიც მიმდინარეობდა 2010-2013 წლებში ყაზბეგის მთიანი რეგიონისა და ბაკურიანის მთიანეთში. აღნიშნული მთიანი რეგიონების შედარებითი სამეცნიერო სამუშაოების გაანალიზების საფუძველზე მომზადდა AMIES II პროექტი, რომელიც ხორციელდება ყაზბეგის მთიან რეგიონში და რომლის მიზანია აღნიშნული რეგიონის ნიადაგების პოტენციური ნაყოფიერებისა და შესაძლო დეგრადაციის ხარისხობრივი შეფასება. 2015 წლის ზაფხულის საველე ექსპედიციის პირობებში საერთაშორისო მკვლევართა ჯგუფმა ნიადაგების 15 დამატებითი პოლიგონი გამოყო რეგიონის სხვადასხვა ხეობებში, როგორც სასიოფლო სამეურნეო სავარგულებში ისე სათიბებსა და საძოვრებზე. აღებულ იქნა დაახლოებით 105 ნიადაგის ნიმუში ლაბორატორიული კვლევებისათვის. აქედან ნიმუშების გარკვეულ რაოდენობაზე კვლევები ტარდება თსუ ნიადაგების გეოგრაფიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიაში. წინასწარი ლაბორატორიული შედეგები უკვე მომზადებულია. აღნიშნული შედეგების საჯარო წარდგენა ჩატარდა ა.წ. 20 აგვისტოს ყაზბეგის მუნიციპალიტეტში.

7. გარემოს დაბინძურება მძიმე ლითონებით, აზოტისა და გოგირდის ოქსიდებით, ქლორორგანული და ფოსფორული ნაერთებით, პესტიციდებითა და სხვა მრავალი ტოქსიკური ნაერთებით დღეისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. თანამედროვე აგრარული

მეურნეობა ხასიათდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების დასამუშავებლად ინდუსტრიული ტექნოლოგიების ფართო დანერგვით, რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებს ტექნიკური საშუალებების - პესტიციდების ინტენსიურ მოხმარებას. მცენარეთა დაავადებების, მავნებლებისა და სარეველების წინააღმდეგ პესტიციდების გამოყენება საშუალებას იძლევა მოკლე დროში, შრომისა და სახსრების ნაკლები დანახარჯებით ეფექტურად დავიცვათ მცენარეები და შევაჩეროთ სხვადასხვა დაავადებებისა და მავნებლების მასიური გავრცელება. რთულია პესტიციდების მოხმარებით მიღებული სარგებლის და პარარელურად ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანების და გარემოს დაბინძურების რისკის შეფასება ან გაზომვა და მისი წარმოდგენა რაიმე ერთეულებში.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

#	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1			
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

IV. 2.

#	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1			
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

სხვა მნიშვნელოვანი აქტივობა:

- 2015 წელს თსუ-ს ეგიდით ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „გამოყენებითი ეკოლოგია: პრობლემები, სიახლეები", ICAE-2015, 7-10 მაისი, თბილისი-ბათუმი (კონფერენციის თავმჯდომარე პროფ. ლია მაჭავარიანი). კონფერენციაზე მონაწილეობდა 150-მდე მეცნიერი 18 ქვეყნიდან (აზერბაიჯანი, ბულგარეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ეგვიპტე, თურქეთი, ისრაელი, იტალია, კვიპროსი, მალაიზია, მოლდოვა, ნიდერლანდები, პაკისტანი, რუსეთი, საქართველო, სომხეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი). კონფერენციის საიტი: http://icae-2015.tsu.ge/

- 2015 წელს გამოიცა ამერიკული ჟურნალის (AJEP, SciencePG) სპეციალური გამოშვება (მთავარი რედაქტორი პროფ. ლია მაჭავარიანი)
  American Journal of Environmental Protection (SciencePG)
  Special Issue "Applied Ecology: Problems, Innovations"
  ISSN: 2328-5680 (Print);
  ISSN: 2328-5699 (Online)
  Lead Guest Editor: Professor Lia Matchavariani
  http://www.sciencepublishinggroup.com/specialissue/163003

- 2015 წელს გამოიცა ამერიკული ჟურნალის (Earth Sciences, SciencePG) სპეციალური გამოშვება (თანა-რედაქტორი პროფ. ლია მაჭავარიანი)

J. Earth Sciences (SciencePG)
Special Issue “Modern Problems of Geography and Anthropology”
ISSN: 2328-5974 (Print); ISSN: 2328-5982 (Online)
Guest Editors: Dr. Nana Bolashvili, Nino Chikhradze, Dr. Giorgi Lominadze, Dr. Renato Henriques, Dr. Vesna Jenkins, Lia Bitadze, Professor Mihajlo Markovic, Professor Lia Matchavariani
http://www.sciencepublishinggroup.com/specialissue/161010

ჰიდროლოგიის, ოკეანოლოგიისა და მეტეოროლოგიის კათედრა

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი **პროფ. დავით კერესელიძე**

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

ასოც.პროფ. კახაბერ ბილაშვილი,
ასოც.პროფ. ვაჟა ტრაპაიძე,
ასისტ.პროფ. გიორგი ბრეგვაძე

I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის
დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
(ეხება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

I. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

	დარგისა და სამეც-ნიერო მიმართულე-ბის მითითებით			
1				
დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

I. 4.

	პროექტის დასახე-ლება მეცნიერების დარგისა და სამეც-ნიერო მიმართულე-ბის მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	მდინარეთა სანაპიროს მოწყლვადობის შეფასების მეთოდოლოგია წყალმოვარდნების რისკების გათვალისწინებით; დედამისიწის შემსწავლელი მეცნიერებები/ჰიდრ ოლოგია	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	დ. კერესელიძე	ვ. ტრაპაიძე, გ.გავარდაშვილი, გ. ბრეგვაძე, მ.ალავერდაშვილი, მ.ბლიაძე
2	ტერიტორიული დაგეგმარებისათვის სამცხე-ჯავახეთის ლანდშაფტურ-ეკოლოგიური შეფასება გის-ანალიზის მეშვეობით",	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	დ. ნიკოლაიშვილი	ვ. ტრაპაიძე, ბ. კალანდაძე, ლ. ლაღიძე რ. მაღლაკელიძე ზ. ლაოშვილი დ.სართანია

1. მდინარის კონკრეტული კვეთებისათვის დადგენილ იქნა მაქსიმალური ხარჯებისა და მისი განმსაზღვრელი ფაქტორების დროში ცვალებადობის ტენდენციები, რისკების და საიმედოობის რიცხვითი მნიშვნელობები მონაცემთა ბაზის მიხედვით, პროექტში დასმული ამოცანების შესაბამისად სათანადო პროგრამების გამოყენებით ჩატარდა კომპიუტერული ანგარიში რიცხობრივი ექსპერიმენტის მეთოდის გამოყენებით. ანგარიშისათვის შერჩეულ იქნა სამი მდინარის რიონის, თეთრი არაგვისა და ცხენისწყლის მაქსიმალური და მყისური მაქსიმალური ხარჯები სხვადასხვა კვეთებში. მაქსიმალური ხარჯების გაანგარიშებისას მნიშვნელოვანია მოვლენების განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორების ცვალებადობის ტენდენციების შეფასება რაც შესაძლებელია განაწილების ფუნქციების აგებით. აგებულ იქნა სხვადასხვა ტიპის განაწილების ფუნქციები და შეფასდა ტრენდები. ტრენდის გამოვლენის თვალსაჩინო ხერხს წრფივი რეგრესია წარმოადგენს, ხოლო ტრენდის ნიშნადობა შეიძლება შეფასდეს შემთხვევით სიდიდესა და მის რიგით ნომერს შორის კორელაციის

კოეფიციენტის სიდიდით. ასევე საქართველოს მდინარეთა ცალკეული კვეთებისათვის აეროკოსმოსური სურათების, კარტოგრაფიული მეთოდების და ა.შ. გამოყენებით დადგენილ (დაზუსტებულ) იქნა მაქსიმალური ხარჯების სავარაუდო მნიშვნელობები. მასთან დაკავშრებული რისკების გამოსავლენად ყურადღება მიექცა ე.წ. წყალმოვარდნული აქტივობის კოეფიციენტებს. მისმა დადგენამ შესაძლებლობა მოგვცა გამოვლენილიყო მდინარეთა უბნები რომლებიც შედარებით მაღალი რისკის მატარებელია. ჩატრადა საველე ექსპედიციური კვლევები მდინარეების იორის, ალაზნის, არაგვის, ცხენისწყის, აწარისწყლკის და რიონის აუზებში. მაქსიმალური ხარჯების სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის თვეების მიხედვით ჩატარებული გათვლების შედეგად მიღებული სიდიდეები დატანილი იქნა ტოპორუკებზე დატბორვის არეალების ზონირებისათვის.

2. შეიქმნა სამცხე-ჯავახეთის ლანდშაფტური რუკა 1:50,000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკის საფუძველზე, რისთვისაც ასევე გამოყენებულია სხვადასხვა სამეცნიერო, კარტოგრაფიული, სტატისტიკური, 2014-2015 წლებში პროექტის ფარგლებში ჩატარებული ექსპედიციების საველე მასალები. რუკაზე დატანილია ბტკ-ების ვერტიკალური სტრუქტურის ტიპები, რაც დაეფუძნა პროფ. ნ. ბერუჩაშვილის მიერ შემუშავებულ სივრცე-დროითი ანალიზისა და სინთეზის კონცეფციას. რუკა ელექტრონულ ფორმატშია; განხორციელდა რეგიონის ბუნების კომპონენტებისა და სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებელთა სივრცე-დროითი ანალიზი. შექმნილია თემატურ რუკათა სერია; დაწყებულია რეგიონის ლანდშაფტთა კომპიუტერული მოდელის შექმნა და შექმნილია გის-ის მონაცემთა ბაზა; 2015 წელს ჩატარდა ექსპედიცია ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში, რის შედეგადაც აღიწერა 60 ლანდშაფტური ნაკვეთი და განხორციელდა მოსახლეობის გამოკითხვა ტრადიციული და თანამედროვე ბუნებათსარგებლობით საკითხებზე. ამჟამად მიმდინარეობს პროექტის დამამთავრებელ IV ტრანშზე მუშაობა (პროექტი დასრულება: 4.04.2016)

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის / კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გ,გრიგოლია დ.კერესელიძე, კ.ბილაშვილი ვ.ტრაპაიძე, მ.ალავერდაშვილი გ. ბრეგვაძე	მდინარე ალაზნის საშუალო თვიური ხარჯების და წლიურში მათი წილების ცვალებადობის ტენდენციების შეფასება/ საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია "წყალთა მეურნეობის, გარემოს დაცვის, არქიტექტურისა და მშენებლობის აქტუალური საკითხები" შრომების კრებული	№5	თბილისი	გვ.3; 62-64
2	გ,გრიგოლია დ.კერესელიძე, ვ.ტრაპაიძე, გ. ბრეგვაძე	კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე სხვადასხვა პერიოდის ჩამონადენის ცვალებადობის ტენდენციების შეფასება და ანალიზი მდ. მტკვრისა და ფოცხოვის მაგალითზე/სტუ ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული	№121	თბილისი	5, გვ.15-18
3	ვ. გვახარია კ. ბილაშვილი, ნ. მაჩიტაძე, ნ.გელაშვილი, გ. მაისურაძე, ტ. ადამია, ც. ხუხუნია	შავი ზღვის გარემოსდაცვითი მონიტორინგის ეროვნული პროგრამების და ქვეპროგრამების შემუშავების წინაპირობები/ ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის	ახალი სერია, ნაკვეთი 127	თსუ	5; გვ. 206-210

		სახელმწიფო უნივერსიტეტის ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის შრომები.			
4	გ. გრიგოლია, დ. კერესელიძე, კ. ბილაშვილი, ვ. ტრაპაიძე, გ. ბრეგვაძე	საქართველოს ზოგიერთ მდინარეზე ცალკეულ თვეებში წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების სიხშირის ცვალებადობის შეფასება/საერთაშორისო კონფერენციის “გამოყენებითი ეკოლოგია: პრობლემები, გამოწვევები” “ICAE-2015” შრომების კრებული		თბილისი	4, გვ. 75-78

1. საშუალო თვიური ხარჯების და წლიურიდან მათი წილების ცვალებადობის ტენდენციების დასადგენად ჩატარებულია უმნიშვნელოვანესი სამდინარო არტერიის მდინარე ალაზნის შიგაწლიური ჩამოანდენის გაანგარიშება. რაც ერთ-ერთი აქტუალური საკითხია კახეთის სარწყავი წყლით უზრუნველსაყოფად. გამოთვლილია მდ. ალაზანის (შაქრიანი) თვის საშუალო ხარჯები, მოდულური კოეფიციენტები, წილი პროცენტებში, ხარჯების ტრენდის კორელაციის კოეფიციენტები და წილების ტრენდის კორელაციის კოეფიციენტები 1966-86 წ.წ პერიოდისათვის. გათვლებმა გვიჩვენა, რომ ტრენდი არცერთ თვეში არ ფიქსირდება, ხოლო ცალკეული თვეების ცვალებადობას თითქმის ერთნაირი ხასიათი აქვს, მზარდი და კლებადი ცვალებადობის ტენდენციები ხარჯებისა და პროცენტების მიხედვით თითქმის ერთნაირ სურათს გვაძლევს.
2. კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე მდინარეთა ჩამონადენის შიგაწლიური განაწილება უფრო ინტენსიური გახდება - შემცირდება მცირეწყლიანი პერიოდის და გაიზრდება უხვწყლიანი პერიოდის ჩამონადენი. სხვადასხვა პერიოდის ჩამონადენის ცვალებადობის ტენდენციების შესაფასებლად შეირჩა მდინარე მტკვრის (ლიკანთან) და მისი შენაკადის ფოცხოვი (სხვილისთან) ცალკეული თვეებისა და სეზონების წყლის ხარჯების საშუალო მნიშვნელობები. ორივე მდინარისათვის გამოთვლილ იქნა მოდულური კოეფიციენტები, წილი პროცენტებში, ხარჯების ტრენდის კორელაციის კოეფიციენტები და წილების ტრენდის კორელაციის კოეფიციენტები, როგორც თვეების ისე სეზონების მიხედვით 1969/70 – 1985/86 წლების პერიოდისათვის. გაანგარიშებმა გვიჩვენა, რომ ორივე მდინარეზე ტრენდის ცვალებადობის ტენდენციები თითქმის ერთნაირია., ორივე შემთხვევაში ტრენდები დაფიქსირდა მაისის თვეში, ხოლო სეზონების მიხედვით გაზაფხულზე, დადებითი ტრენდის ტენდენციები ჭარბობს სეზონების მიხედვით. რაც შეეხება წილების ტრენდებს, აქ დადებითი ტრენდი

აღინიშნა აპრილ-ივნისის პერიოდში, დანარჩენ პერიოდში უარყოფითი ტრენდები თანხვდებიან ერთმანეთს, მაგრამ ეს თანხვედრა შემთხვევითი ხასიათისაა.

3. შავი ზღვის გარემოს დაცვა არის საქართველოსათვის ერთერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა სანაპირო ზონების ინდუსტრიული და ტურისტული პოტენციალის ზრდის პირობებში. საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივის (Directive 2008/56/EC) ერთერთი მთავარი მოთხოვნაა ზღვის გარემოს კარგი ეკოლოგიური სტატუსის მიღწევა ან გაუმჯობესება 2020 წლისათვის. სტრატეგიის დანერგვა მოითხოვს ზღვის გარემოს მონიტორინგის ეროვნული პროგრამის შემუშავებას და განხორციელებას. ავტორთა მიერ მოწოდებულია დაბინძურების მონიტორინგის ქვე-პროგრამის სქემა. 2015 წლის ივნისში ჩატარდა ეკოლოგიურად სენსიტიური არეალების კვლევა. ზღვის ფსკერულ ნალექებში განსაზღვრულია მძიმე ლითონებისა და ნავთობის ნახშირწყალბადების შემცველობა.
4. საქართველოს მდინარეებზე ყოველწლიურად დაკვირვებული წყალმოვარდნებიდან და წყალდიდობებიდან ყველას არ მივყავართ დამანგრეველ შედეგებამდე, მრავალი მათგანი კატასტროფულ ხასიათს არ იძენს. წყალდიდობისა და წყალმოვარდნის კატასტროფული ხასიათი ძირითადად განპირობებულია თოვლის დნობის მეტისმეტი ინტენსიურობით, რომელიც კიდევ უფრო მძლავრი ხდება, როდესაც თოვლის დნობის პერიოდში წვიმის სახით მოდის მნიშვნელოვანი სიდიდის ატმოსფერული ნალექი. წყალდიდიობებისა დ წყალმოვარდნების შედეგების შერბილებისათვის მნიშვნელოვანია ამ ფენომენის დეტალური კვლევა. ჩვენს მიერ შედარებულია საქართველოს ზოგიერთი მდინარის (რიონი, ჭოროხი, აჭარისწყალი, მტკვარი, ფოცხოვი) წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების სიხშირეების ცვალებადობა. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია დაკვირვებულ პერიოდში ყოველწლირად ცალკეულ თვეში წყლის მაქსიმალური ხარჯების სხვადასხვა ინტერვალებში მოხვედრის რაოდენობაზე. ინტერვალები ცალკეული ბიჯებისათვის შერჩეულია მოდულური კოეფიციენტით, რადგან სხვადასხვა მდინარეებისათვის შესაძლებებლი იყოს უნიფიცირებული შედეგების მიღება. ასევე შესწავლილია წყალმოვარდნული აქტივობის კოეფიციენტი, რომელიც წყალშემკრები აუზის ფართობების გაზრდის შესაბამისად მცირდება. ყოველივე ეს კი საშუალებას გვაძლევს შევადაროთ ცალკეულ თვეებში მაქსიმალური ხარჯების ცვლილების დიაპაზონი.

II. 2. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	დ.კერესელიძე, კ.ბილაშვილი, ვ.ტრაპაიძე	მდინარეთა ნაპირების მოწყვლადობის შეფასება მათემატიკური მოდელებით/საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის “SGEM-2015” შრომების კრებული	ტომი I,	ბულგარეთი	7, გვ. 81-87
2	ბ.კლანდაძე, ვ. ტრაპაიძე	მძიმე მეტალების ზგავლენის რაოდენობრივი შეფასება ნიადაგის ნაყოფიერებაზე სამთოგამამდიდრებელი წარმოების მაგალითზე – აღმოსავლეთ საქართველო/ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის “SGEM-2015” შრომების კრებული	ტომი II,	ბულგარეთი	გვ.8, 271-277
3	დ.კერესელიძე ვ.ტრაპაიძე გ.ბრეგვაძე ი.მეგრელიძე	მდინარეთა სანაპიროების გარეცხვის და ტერიტორიების დატბორვის რისკების ანალზი	ტომი 4, №5-1	აშშ	გვ.7;113-119
4	ბ.კალანდაძე ვ.ტრაპაიძე ლ.ლაღიძე	სარწყავი მიწათმოქმედების როლი სამცხის რეგიონის	ტომი 4, №5-1	აშშ	გვ.7;13-18

	ზ.ლაოშვილი ი.კალანდაძე	სოფლის მეურნეობის პერსექტიულ განვითარებაში/დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების სპეციალური გამოშვება "გოგრაფიისა და ანტროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები"			
5.	დ.კერესელიძე ლ.მაჭავრაიანი ვ.ტრაპაიძე ლ.ლაღიძე დ.სვანაძე გ.ბრეგვაძე ზ.გულაშვილი	საქართველოს ნიადაგებზე დასაშვები დატვირთვების რაოდენობრივი შეფასება/გარემოს დაცვის ამერიკული ჟურნალი; სპეციალური გამოცემა „გამოყენებითი ეკოლოგია, პრობლემები, გამოწვევები"	ტომი 4, №3-1	აშშ	გვ.5; 29-33
6	ე. ყვავძე კ. ბილაშვილი	ანთროპოგენული ლანდშაფტების იდენტიფიცირება შავი ზღვის დონის ფლუქტუაციასთან დაკავშირებით ჰოლოცენში /დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების სპეციალური გამოშვება "გეოგრაფიისა და ანტროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები"	ტომი 4, №5	აშშ	10; გვ.120-129
7	ვ. ტრაპაიძე გ.დვალაშვილი	საქართველოს ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის შეფასება/როვნოს ბუნებათსარგებლობისა და წყალთა მეურნეობის ეროვნული უნივერსიტეტის შრომათა კრებული	№3 (71)	უკრაინა	5, გვ 177-181

8	ლ. ლაღიძე ვ.ტრაპაიძე ბ.კალანდაძე	რელიეფის გავლენა ატმოსფერული ჰაერის განაწილებაზე სამცხე-ჯავახეთში/ დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების სპეციალური გამოშვება "გეოგრაფიისა და ანტროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები"	ტომი 4, №5-1	აშშ	8; გვ.91-98
	დ. ნიკოლაიშვილი ვ. ტრაპაიძე, ბ. კალანდაძე, თ. მამუკაშვილი მ. შარაშენიძე	კლიმატის ცვლილების კომპლექსური შეფასება საქართველოს ლანდშაფტების მაგალითზე/ Journal of Environmental Biology	№. 36,	http://www.jeb.co.in/journal_issues/201501_jan15_supp/paper_07.pdf	გვ. 43-49

1. ბუნებრივ სტიქიურ მოვლენებს შორის, რომლებსაც გარკვეული ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური გართულებები მოაქვთ პირველობას არ თმობს წყალდიდობები და წყალმოვარდნები. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მდინარის წყალგამტარი არტერიიდან, (კალაპოტიდან) წყლის გადმოდინება უმეტეს შემთხვევაში უკავშირდება ნაკადის მიერ სანაპირო ზოლის დაზიანებას და მისი როგორც წყლის შემაკავებელი ობიექტის ფუნქციის მოშლას, სწორედ ამიტომ საჭიროა მდიანრის სანაპიროს მოწყვლადობის შეფასება. მოწყვლადობის ქვეშ იგულისხმება ობიექტის თვისება წინააღმდეგობა გაუწიოს მასზე არსებულ დატვირთვებს (ზემოქმედებას), მოწყვლადობის ხარისხი დამოკიდებულია როგორც დატვირთვის ინტენსივობაზე და ხანგრძლივობაზე, ისე ობიექტის შემადგენელი ელემენტებს შორის არსებულ ურთიერთკავშირზე. მოწყვლადობის კრიტიკული ზღვარი განაპირობებს ობიექტის უმტყუნო ფუნქციონირების დიაპაზონს. მოწყვლადობის შეფასება სასურველია მოხდეს ყველა იმ მაჩვენებლის მიხედვით, რომელიც ახასიათებს მის კრიტიკულ მნიშვნელობას, რაც თითქმის შეუძლებელია, ამიტომ უნდა შეირჩეს ამ კრიტიკული მახასიათებლების ინდიკატორებიდან ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი, რომლის მიხედვითაც განხორციელდება ობიქტის მოწყვლადი მდგომარეობის ანალიზი. მოწყვლადობის თეორიის შესაფასებლად გამოიყენება საიმედოობის თეორიის ერთ-ერთ ცნობილი მოდელი "დატვირთვა-სიმტკიცე". ჩვენს შემთხვევაში "დატვირთვის" მხრიდან განმსაზღვრელ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს წყლის ნაკადის ფსკერული სიჩქარე რომლის დადგენაც შესაძლებელია კალაპოტის მორფომეტრიული მახასიათებლების, ჰიდროლოგიური და ჰიდრავლიკური ელემენტების მნიშვნელობათა გათვალისწინებით. სანაპიროს მხრიდან სიმტკიცის განმსაზღვრელი ფაქტორი იქნებოდა გრუნტის შეჭიდულობის ინტეგრალური მახასიათებელი, რომელიც განსაზღვრავს წყლის ნაკადის დასაშვებ არაგამრეცხ) სიჩქარეს, ეს უკანასკნელი კი არის წყლის ნაკადის ის მაქსიმალური სიჩქარე, რომლიც არ იწვევს მოცემული გრუნტის გარეცხვას.
2. გარემოს გლობალური დაბინძურება და ეკოლოგიური უსაფრთხოება XXI საუკუნის ნომერ პირველ პრობლემად იქცა. მისი გავლენა საქართველოზეც მნიშვნელოვანია ვინაიდან მზარდი ანთროპოგენური დატვირთვის ფონზე გარემოს როგორც ერთიანი და მთლიანი კომპლექსის, ასევე მისი შემადგენელი კომპონენტების დაცვა ძალზე აქტუალური საკითხია. ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის უძველესი დარგია, თანამედროვე ბუნებრივი და ტექნოგენური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაყოფიერების შენარჩუნება და ზოგადად ნიადაგური რესურსები შეიძლება განვიხილოთ ქვეყნისათვის როგორც სტრატეგიული ამოცანა და რესურსი. ნიადაგების გაჭუჭყიანების საქმეში ერთ-ერთი ძირითადი სოფლის მეურნეობაა. მასში გამოყენებული ქიმიზაციის საშუალებებით – მინერალური და ორგანული სასუქებით, პესტიციდებით, მცენარეთა ზრდის სტიმულატორებით და სხვა, ხოლო სტრეს-ინდექსების მიხედვით განსაკუთრებული ზეგავლენით მაინც მძიმე მეტალები გამოირჩევიან.ნიადაგის ნაყოფიერებაზე მძიმე მეტალების ზეგავლენის ზუსტი რაოდენობრივი შეფასება საკმაოდ რთულია. ჩვენს მიერ რეალურთან მაქსიმალურად მიახლოებული სურათის შესაქმნელად შესწავლილ იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი - ბოლნისის მუნიციპალიტეტი. აქ წარმოდგენილია ძირითადად მდელოსა და ტყისკენ გარდამავალი ყავისფერი ნიადაგები, რომლებიც ხასიათდებიან ჰუმუსის საშუალო და მაღალი შემცველობით, კარგი მექანიკური შედგენილობით, ნეიტრალური და ტუტისკენ გარდამავალი რეაქციით. ბოლნისის მინიციპალიტეტი ამავე დროს მნიშვნელოვანი სამთამადნო რეგიონია. ისინი მძლავრ ტექნოგენურ ზემოქმედებას ახდენენ გარემო კომპონენტებზე: ნიადაგებზე, წყლებზე, ანუ ნიადაგები განიცდიან მზარდ ანტროპოგენურ ზემოქმედებას. სწორედ სამთამადნო წარმოების ზეგავლენის შედეგად ნიადაგისა და წყლების გაჭუჭყაენების რაოდენობრივი შეფასება წარმოადგენს ჩვენი კვლევის საგანს, კერძოდ სტატიაში გაანალიზებულია მძიმე მეტალების (ტყვიის, თუთიის, სპილენძის, კადმიუმის) მიგრაციის სიხშირე და ცვალებადობა, დაბინძურების გამომწვევი ბუნებრივი და ტექნოგენური ფაქტორები, გაჭუჭყიანების ფორმები და არეალები, მათი გავლენა მიმდებარე აგროეკოსისტემებზე და სხვა.

3. მდინარეთა ბუნებრივი სანაპიროების გარეცხვისა და ტერიტორიის დატბორვის ალბათური რაოდენობრივი შეფასება და პროგნოზირება ერთი-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, და იგი განიხილება როგორც შემთხვევითი პროცესი, რომელიც დამოკიდებულია როგორც ნაკადის სიჩქარეზე ისე კალაპოტის წინააღმდეგობის უნარზე. კვლევაში გამოუყენება საიმედოობის ცნობილი თეორია, სახელწოდებით "დატვირთვა-სიმტკიცე". თეორიული ფორმალიზაციით მიღებული შედეგები ამ ეტაპზე წარმოადგენს მიახლოებიტ შედეგსდა არ შეიძლება ჩაითვალოს საბოლოოდ.
4. სამცხეში მეურნეობის დარგებიდან უმნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობა და რეგიონს სასოფლო სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის წარმოების თვალსაზრისით საკმაოდ მაღალი პოტენციალი აქვს. ამაზე მიუთითებს საკმაოდ ნაყოფიერი და მრავალფეროვანი ნიადაგური ტიპები. სამცხეში ნაყოფიერების თვალსაზრისით გამოირჩევა ტყის ყავისფერი, მდელოს ყავისფერი, რუხი ყავისფერი და ტყის ყომრალი ნიადაგები. მათ წილად მოდის სასოფლო სამეურნეო სავარგულების ძირითადი ნაწილი. აქ არსებული მცირე ზომის სარწყავი არხები საქართველოს და მთლიანად კავკასიის მთიანი რაიონების სარწყავი არხების ანალოგიურია. მათი ზომა, ნაგებობა, წყალმგამტარიანობა და რწყვის ეფექტიანობა შეხამებულია მთიანი რელიეფის პირობებთან, აქაური სარწყავი არხები თავისი გამტარუნარიანობით მცირე ზომისანი არიან, უმრავლესობა გრუნტის, ან მოუპირკეთებელი კალაპოტისაა. მელიორაციული სისტემების მოწესრიგება და აქ გავრცელებული ნიადაგები, შესაძლებელს გახდის მნიშვნელოვნად გაიზარდოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოსავლიანობა.
5. ბუნებრივ გარემოზე დაკვირვებებმა აჩვენა, რომ თანამედროვე ინდუსტრიულ განვითარების ეპოქაში იგი განიცდის სხვადასხვა სახის არახელსაყრელ ზემოქმედებას, რის შედეგადაც მისი მდგომარეობა უარესდება და იგი დეგრადირდება. ინდიკატორების ცვალებადობა დროსა და სივრცეში ყველაზე კარგად განსაზღვრავს

ბუნებრივი გარემოს მდგომარეობას და მოსალოდნელი საშიშროების რისკს. გარემო შესდგება უამრავი ელემენტებისაგან, რომლებსაც თან ახლავს ასევე უამრავი პროცესები, ყველა ამ ელემენტების გათვალისწინება სასურველია, მაგრამ პრაქტიკულად შეუძლებელია, ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია გარემოს იმ ძირითადი ელემენტების ამორჩევა, რომლსაც წამყვანი როლი ენიჭება გარენოს ფუნქციონირებაში. ჩვენს შემთხვევაში გარემოს ძირითად ელემენტად შერჩეულ იქნა ნიადაგი. ნაშრომის მიზანია საქართველოს ნაყოფიერი ნიადაგების მდგომარეობის რაოდენობრივი შეფასება და საშიში არახელსაყრელი სიტუაციების დადგომის რისკის გაანგარიშების მიახლოებით (ალბათური) მეთოდების შემუშავება. ასეთი მეთოდების აუცილებლობას კარნახობს ნიადაგების შენარჩუნება მინიმალური დანაკარგებით, რომელიც თავის მხრივ ხელს შეუწყობს გარემოსთან კაცობრიობის ჰარმონიულ თანამცხოვრებას და მდგომარეობის რადიკალურ გაუმჯობესებას.

6. საზღვაო ნალექებში მოპოვებულ, არსებულ, პალინოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით, ნაშრომში გამოკვლეულია კლიმატური ცვლილებები ბოლო 10000 წლის განმავლობაში. გამოვლენილია დათბობის სამი ფაზა, როდესაც შავი ზღვის დონე არსებულს მნიშვნელოვნად აღემატებოდა. აღნიშნული კლიმატური ოპტიმუმები განაპირობებდნენ ადამიანის სამეურნეო საქმიანობის გაქტიურებას და მის განვრცობას, რასაც არქეოლოგიური მონაცემებიც ადასტურებს.
7. მტკნარი წყლის რესურსები საქართველოს ერთ-ერთ ძირითად სიმდიდრეს წარმოადგენს. საქართველოს ტერიტორიის მთიანი ხასიათი, უხვი ატმოსფერული ნალექები, განსაკუთრებით შავი ზღვის აყზში განაპირობებენ იმას, რომ მის ტერიტორიაზე ერთი წლის განმავლობაში ფორმირებული მტკნარი წყლის ფენის საშუალო სიმაღლით საქართველოს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მსოფლიოში, ეს განპირობებულია მოსული წლიური ნალექების ფენით, რაც მოცულობაში 93,3 კმ^3 შეადგენს. ამასთან ერთ კვადრატულ კილომეტრზე წლის განმავლობაში ფორმირებული საშუალო წყლის რაოდენობა ტერიტორიის მიხედვით არათანაბრად არის გადანაწილებული დასავლეთ საქართველოსთვის ის 1.34 მლნ მ3/კმ2 შეადგენს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოსთვის 0.37 მლნ მ3/კმ2, საშუალო წლიური ჯამური ჩამონადენი, რომელიც უშუალოდ საქართველოს ტერიტორიაზე ფორმირდება 57მ^3 შეადგენს. მდინარეთა წყალუხვობა, ხეობათა ტიპები და კალაპოტების დიდი დახრილობა განაპირობებენ მდინარეთა საკმაოდ მაღალ ჰიდროენერგეტიკულ პოტენციალს. ქვეყნის საერთო ზედაპირული და ტრანზიტული ჩამონადენის ენერგია დაახლოებით 229 მლრდ კვტ.საათს, ხოლო შესაბამისი სიმძლავრე - 26 მლნ კვტ-ს შეადგენს. 1 კმ2-ზე ხვედრითი ჰიდროენერგეტიკული რესურსების მახასიათებლით საქართველოს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რეგიონში
8. ატმოსფერული ნალექები კლიმატის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია, რომელიც გავლენას ახდენს ჰავაზე და განაპირობებს მცენარეთა ტენით უზრუნველყოფის ხარისხს. ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე მერყეობა 400-1,400 მმ-ს ფარგლებში. იგი მინიმალურია ჯავახეთის ზეგანსა და ახალციხის ქვაბულში, ხოლო მაქსიმალური აჭარა-იმერეთის და არსიანის ქედების მაღალმთიან ზონაში. ჯავახეთის პლატოზე სიმაღლის მიხედვით, ნალექები ჯერ მცირდება, შემდეგ ისევ იზრდება. მდ. ფარავნის აუზში ზღვის დონიდან 1,400 მეტრის სიმაღლეზე საშუალოდ ყოველ 100 მეტრზე ნალექები მცირდება 6-17 მმ-თ, ხოლო 1,400 მეტრის ზევით, ნალექები ჯერ მცირედ (4-20 მმ), შემდეგ მნიშვნელონად იზრდება (ყოველ 100 მეტრის სიმაღლეზე 44-76 მმ-ით), ერთ თვის განმავლობაში მოსული ნალექების მაქსიმალური რაოდენობა წლის ცივ პერიოდში 202 მილიმეტრია, უმცირესი 0.1 მმ-ია. სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე ნალექების განაწილება სიმაღლის მიხედვით იცვლება და დაბალ ნაწილში თხევადი ნალექების წილად მოდის 75 %, მყარი 18 %, შერეული 8 %, ხოლო მაღალმთიან

ნაწილში შესაბამისად 60 %, 31 % და 9 %-ია. მაღალმთიან ტერიტორიებზე ნალექები მყარი სახით მთელი წლის განმავლობაშია მოსალოდნელი, ხოლო დაბალ ნაწილებში მხოლოდ სექტემბრიდან მაისამდე. რეგიონში თბილ პერიოდში მოსული ნალექების რაოდენობა იცვლება 380 მმ-დან 621 მმ-მდე, ხოლო ცივ პერიოდში 140 მმ-დან 328 მმ-მდე. ნალექების ტერიტორიულ განაწილებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს რელიეფის ფორმები. რეგიონი ყოველი მხრიდან შემოსაზღვრულია მაღალი ქედებით, რომელიც ატმოსფეროს ცირკულაციურ პროცესებს გარდაქმნის და აფერხებს ჰაერის მასების თავისუფალ გადაადგილებას. ამიტომ რეგიონში ჰაერის მასები დაღმავალი ხასიათისაა, მასში ტენის რაოდენობა მცირდება (შეზღუდულია კონდენსაცია), შედეგად ამისა სამცხე –ჯავახეთის ძირითად ტერიტორიაზე მცირე ნალექი მოდის. რეგიონში ნალექების წლიური განაწილების კონტინენტური ტიპია გაბატონებული.

9. ნაშრომის მთავარი მიზანია საქართველოს ლანდშაფტების სივრცე-დროითი მოდელის მეთოდოლოგიური საფუძვლის შემუშავება, რომელიც საშუალება გვაძლევს დადგინდეს სხვადასხვა ლანდშაფტში მიმდინარე ტენდენციები, როგორიცაა ჰუმიდურობა/არიდულობა, ბიოპროდუქტიულობის ზრდა-შემცირება და სხვ. საქართველოს ლანდშაფტთა კადასტრული მონაცემების, გის-ტექნოლოგიებისა და თემატური კარტოგრაფირების საფუძველზე ლამდშაფტში მიმდინარე ძირითადი ტენდენციები გამოვლინდა. კლიმატის ცვლილება ლანდშაფტებში რამდნეიმე მაჩვენებლით შეფასდა, როგორიცაა ტყიანობის, სასოფლო-სამეურნეო-სავარგულების, ფრაგმენტაციისა და მცენარეთა პროდუქტიულობის მიხედვით.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	დ. კერესელიძე, ვ. ტრაპაიძე	მდინარეთა ნაპირების მოწყვლადობის ალბათური შეფასება	მე-3 საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, 4-5/02/2015, თბილისი
2	კ. ბილაშვილი, დ. კერესელიძე, ვ. ტრაპაიძე, ვ. გვახარია ნ. მაჩიტაძე	ევროგაერთიანების საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივის განხორციელება საქართველოში შავი ზღვის გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესების კუთხით	მე-3 საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, 4-5/02/2015, თბილისი
3	ვ. ტრაპაიძე, დ. კერესელიძე, კ. ბილაშვილი, გ. ბრეგვაძე	მდინარის სანიტარულ-ეკოლოგიური ხარჯის გაანგარიშების მეთოდოლოგია	მე-3 საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, 4-5/02/2015, თბილისი

4	ბ. კალანდაძე, დ. ნიკოლაიშვილი ვ. ტრაპაიძე, ლ. ლაღიძე დ. სართანია	სამცხე-ჯავახეთის მხარის გეოეკოლოგიური პრობლემები	ადამიანური და გარემო რესურსები მრავალეთნიკურ ქვეყნებში/მულთიკულტურ ულ საზოგადოებაში; მიძღვნილი თსუ-სა და გისენის უნივერსიტეტის ურთიერთანამშრომლობის 10 წლისთავისადმი, 5-7.11.2015
5	დ. კერესელიძე ვ. ტრაპაიძე ი. მეგრელიძე	მდინარე ვერეზე აუზში განვითარებული სტიქიური მოვლენების ანალზი	სანდიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი-მეცნიერება, ტექნოლოგიები, ინჟინერინგი და მათემატიკა-საქართველო (SDSU-STEM Georgia) ერთობლივი სემინარი 5.09.2015, თბილისი
6	დ. ნიკოლაიშვილი, ვ. ტრაპაიძე, ბ. კალანდაძე ლ. ლაღიძე დ. სართანია რ. თოლორდავა	სამცხე-ჯავახეთის ლანდშაფტური დაგეგმარება	სანდიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი-მეცნიერება, ტექნოლოგიები, ინჟინერინგი და მათემატიკა-საქართველო (SDSU-STEM Georgia) ერთობლივი სემინარი 5.09.2015, თბილისი
7	გ. გრიგოლია, დ. კერესელიძე, კ. ბილაშვილი, ვ. ტრაპაიძე, გ. ბრეგვაძე	საქართველოს ზოგიერთ მდინარეზე ცალკეულ თვეებში წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების სიხშირის ცვალებადობის შეფასება	საერთაშორისო კონფერენცია “გამოყენებითი ეკოლოგია: პრობლემები, გამოწვევები” “ICAE-2015”, თბილისი, ბათუმი, მაისი,2015
8	დ.კერესელიძე ლ.მაჭავრაიანი ვ.ტრაპაიძე ლ.ლაღიძე დ.სვანაძე გ.ბრეგვაძე ზ.გულაშვილი	საქართველოს ნიადაგებზე დასაშვები დატვირთვების რაოდენობრივი შეფასება	საერთაშორისო კონფერენცია “გამოყენებითი ეკოლოგია: პრობლემები, გამოწვევები” “ICAE-2015”, თბილისი, ბათუმი, მაისი, 2015
9	გ.გრიგოლია დ.კერესელიძე, კ.ბილაშვილი ვ.ტრაპაიძე, მ.ალავერდაშვილი გ. ბრეგვაძე	მდინარე ალაზნის საშუალო თვიური ხარჯების და წლიურში მათი წილების ცვალებადობის ტენდენციების შეფასება	საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია “წყალთა მეურნეობის, გარემოს დაცვის, არქიტექტურისა და მშენებლობის

			აქტუალური საკითხები", თბილისი, 2015
10	გ. ბრეგვაძე	წლის დასაწყისის გავლენა მდინარის ჩამონადენისა და ნალექების ურთიერთკავშირზე და ტრენდზე	მე-3 საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, 4-5/02/2015, თბილისი
11	კ. ბილაშვილი, ვ. ტრაპაძე	შავი ზღვის აუზში ეკოსისიტემური მიდგომის (EcAp) განხორციელების ზოგადი მიმოხილვა	"ხმელთაშუა ზღვისა და შავი ზღვის აუზების კარგი გარემოს სტატუსის მისაღწევად", პროექტ "პერსეუს"-ის რეგიონული კონფერენცია; 8-9.10. 2015. თბილისი
12	კ. ბილაშვილი, ვ. მელიქიძე	პერსუს-ის მიერ შემუშავებული საზღვაო ადაპტაციური პოლიტიკის სქემა/ინსტრუმენტი The AMP Toolbox	"ხმელთაშუა ზღვისა და შავი ზღვის აუზების კარგი გარემოს სტატუსის მისაღწევად", პროექტ "პერსეუს"-ის რეგიონული კონფერენცია; 8-9.10. 2015. თბილისი

1. მდინარეთა ნაპირების მოწყვლადობის შესაფასებლად მნიშვნელოვანია ამა თუ იმ ჰიდროლოგიური მოვლენის რაოდენობრივი შეფასება და პროგნოზი. წყლის ნაკადის მიერ სანაპიროს რღვევის მექანიზმი განიხილება, როგორც შემთხვევითი პროცესი, რომელიც დამოკიდებულია, როგორც ნაკადის სიჩქარის გავლენაზე, ისე სანაპიროს მდგრადობაზე. ასეთი ზემოქმედების მიმართ ამ პროცესის ინდიკატყორად მიღებულია სანაპიროს მახასიათებელი - მოწყვლადობა. მოწყვლადობის ქვეშ იგულისხმება ობიექტის თვისება, რომელიც გამოხატავს მის უნარს წინააღმდეგობა გაუწიოს მასზე არსებულ დატვირთვებს (ზემოქმედებას) ე.ი. ეს არის მდგრადობის საპირისპირო თვისება. მოწყვლადობის ხარისხი დამოკიდებულია როგორც დატვირთვების ინტენსივობაზე და ხანგრძლივობაზე, ისე ობიექტის შემადაგენელ ელემენტებს შორის არსებულ ურთიერთკავშირზე. მოწყვლადობის კრიტიკული ზღვარი განაპირობებს ობიექტის უმტყუნო ფუნქციონირების დიაპაზონს. მოწყვლადობის შეფასება სასურველია მოხდეს ყველა იმ მაჩვენებლის მიხედვით, რომლებიც ახასიათებს მის კრიტიკულ მნიშვნელობას, რაც განუხორციელებელია გამომდინარე პროცესების ზუსტი ანალიზური მოდელირების შეზღუდულობით. ამიტომ უნდა შევარჩიოთ ამ კრიტიკული მდგომარეობის მახასაიათებელი ინდიკატორიდან ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი (ინტეგრალური) ფაქტორი, რომლის მიხედვითაც განხორციელდება ობიექტის მოწყვლადი მდგომარეობის ანალიზი. მოწყვლადობის დასადგენად გამოიყენება საიმედოობის თეორიის ცნობილი მოდელი "დატვირთვა-სიმტკიცე". გამომდინარე აქედან თეორიული ფორმალიზაციით მიღებული შედეგი წარმოდგენილი ფორმულების სახით ამ ეტაპზე ჩაითვალება მიახლოებად და მოდელირების პროცესში უნდა მოხდეს დროის ფაქტორის გათვალისწინება, რაც იქნება წინგადაგმული ნაბიჯი არსებულ რეალობასთან მიმართებაში.

2. საზღვაო სტრატეგიის ჩარჩოს დირექტივა (MSFD) (2008/56/EC) ამოქმედდა 2008 წლის 15 ივლისს. მისი მიზანია მიაღწიოს ან შეინარჩუნოს გარემოს კარგი სტატუსი ევროპის საზღვაო წყლებში არაუგვიანეს 2020 წლისა. MSFD-ს იმპლემენტაცია საჭიროებს ოკეანოგრაფიულ მონაცემთა ბაზის არსებობას და რეგიონალური საზღვაო კონვენციების ქმედით განხორციელებას. MSFD-ს თანახმად გარემოს სტატუსის შეფასება ხდება 11 განმსაზღვრელი ნიშნით (დისკრიპტორით), რომელიც მოიცავს 29 კრიტერიუმს და 56 ბიოლოგიურ, ფიზიკურ-ქიმიურ და ა. შ. ინდიკატორებს.ევროპის ახალი სტრატეგიის ერთ–ერთი პრიორიტეტია დირექტივით განსაზღვრული აქტივობების განვრცობა ევროპულ რეგიონალურ და სუბ–რეგიონალური ზღვებზე არსებული კონვენციების (მაგ. შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის კონვენცია, შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმა,1996, განახლებულია 2002-ში) გამოყენებით და გათვალისწინებით. ამ მიზნით, 2013–2014 წლებში განხორციელდა საერთაშორისო პროექტი „ემბლას“– ის პირველი ფაზა, რომელიც მიზნავს ისახავს შავი ზღვის გარემოს არსებული მონიტორინგის სრულ რევიზიას, მისი შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. პროექტის ფარგლებში, ზემოთაღნიშნული საზღვაო დირექტივის მოთხოვნების გათვალისწინებით, ჩვენს მიერ, მომზადებული იქნა შემდეგი დასახელების ოთხი ქვეპროგრამა, კერძოდ: ევტროფიკაცია, გარემოს დამაბინძურებლები, თევზსა და ზღვის პროდუქტებში არსებული დამაბინძურებლები, მყარი ნარჩენები. საქართველოში არსებული სამეცნიერო – ტექნიკური შესაძლებლობების შეფასების საფუძველზე ჩამოყალიბების პროცესშია ქვეპროგრამების ეტაპობრივი განხორციელების ოპტიმისტური და რეალისტური სცენარები, რომელთა იმპლემენტაცია დაგეგმილია პროექტის მომდევნო ფაზაში.

3. მდინარის სანიტარულ-ეკოლოგიური ხარჯის განსაზღვრა წარმოადგენს მნიშვნელოვან პრობლემას ჰიდროლოგიურ გაანგარიშებებში, ვინაიდან საქართველოს დიდი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი ყოველ\თვის იწვევს ინვესტორთა დაინტერესებას და ჰიდროტექნიკური ნაგებობების პროექტირებისა და მშენებლობების გააქტიურებას. ზოგადად ეკოლოგიურ ხარჯად ითვლება წყლის ის რაოდენობა, რომელიც მუდმივად უნდა მიედინებოდეს კაალაპოტში მდინარის ეკოსისტემის შესანარჩუნებლად. დღეისათვის საქართველოში არ არსებობს რაიმე ნორმატივი რომელიც განსაზღვრავს სანიტარულ-ეკოლოგიური ხარჯის გაანგარიშების წესს, ჰიდროტექნიკური ნაგებობების პროექტირებისას გამოიყენება გავრცელებული პრაქტიკა, რომელიც ითვალისწინებს საშუალო მინიმალური ჩამონადენის 10% დატოვებას მდინარის კალაპოტში, ან ხარჯს საშუალო წლიური ჩამონადენის 90-99% უზრუნველყოფის სიდიდეებს შორის. ხოლო არსებულ ჰესებზე (მეოცე საუკუნის 90 წლებამდე) სანიტარული ხარჯის რაოდენობად მიღებულ იყო მდინარის 50%–იანი უზრუნველყოფის საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10%. მეცნიერთა და პრაქტიკოსთა ერთი ნაწილის მოსაზრებით სანიტარული და ეკოლოგიური ხარჯი სხვადასხვა სიდიდეებია. სანიტარული ხარჯმა უნდა უზრუნველყოს მდინარის ბუნებრივი ფუნქციის (ნივთიერების და ენერგიის ტრანსპორტირება, კალაპოტური პროცესები და ა.შ) შენარჩუნება. ეკოლოგიური ხარჯად ითვლება წყლის ის რაოდენობა რომელიც დაითვლება ჰიდრობიოლოგიური ინტერესების გათვალისწინებით, თუმც კი ეს ერთი და იგივე მცნებაა და შეიძლება გავაერთიანოდ ეკოლოგიური ხარჯის ქვეშ. დღეს მსოფლიოში გამოყენებული ეკოლოგიური ხარჯის დადგენის უამრავი მეთოდიდან სპეციალისტთა უმრავლესობა თანხმდება, რომ უნიფიცირებული მიდგომა რომელიც გავრცელდება ყველა მდინარეზე არ

არსებობს. არცერთი ცალკე აღებული მეთოდი სრულყოფილი არ არის და სტანდარტულად რაიმე პროცენტის დაწესება ყველა მდინარისათვის არ მოგვცემს მისაღებ შედეგს. საჭიროა კომპლექსური მიდგომა; თითოეული მდინარისთვის ინდივიდუალურად უნდა განისაზღვროს ეკოლოგიური ხარჯის ის ოდენობა, რომლის პირობებშიც ჰიდროტექნიკურ ნაგებობას ოპერირების პერიოდში მინიმალური ზემოქმედება ექნება გარემოზე.

4. სამცხე-ჯავახეთი საქართველოს მნიშვნელოვანი რეგიონი და ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინცია. იგი მდებარეობს ქვეყნის სამხრეთ ნაწილში და წარმოდგენილია ექვსი მუნიციპალიტეტით: ახალციხე, ასპინძა, ადიგენი, ახალაქალაქი, ნინოწმინდა და ბორჯომი. რეგიონი მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებითა და რესურსებით ხასიათდება (მინერალური წყაროები, სასოფლო სამეურნეო სავარგულები, ტბები, ქარისა და მზის ენერგია, ხელუხლებელი ლანდშაფტები, სხვადასხვა სახის სასარგებლო წიაღისეული და სხვ.). რეგიონს გააჩნია მაღალი ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალი. აქ გადამწყვეტი ადგილი უკავია აგრარულ სექტორს. დარგის წილად მოდის მთლიანი შიდა პროდუქტის 49% და დასაქმებულია შრომითი რესურსების უდიდესი ნაწილი. რეგიონის პერიფერიულ ნაწილში მდებარეობა, მემკვიდრეობის სახით შემორჩენილი ბუნებათსარგებლობის პრაქტიკა, ეთნოგრაფიული და რელიგიური მრავალფეროვნება განაპირობებს მხარის თავისებურებას. მიუხედავად მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებისა გარემოზე როგორც ბუნებრივი ისე ანთროპოგონეური დატვირთვები აფერხებს რეგიონის წინსვლას. მნიშვნელოვანი ეკოლოგიური პრობლემებია: ნიადაგის ეროზია და დეგრადაცია, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში ქიმიური სასუქების ინტენსიური გამოყენება, წყლის რესურსების არათანაბარი გადანაწილება და მოძველებული ინფრასტრუქტურა, გეოდინამიკური პროცესების ინტენსივობა, არაკონტროლირებადი ძოვება, ნარჩენების განთავსება და სხვა. ყოველივე ეს კი განაპირობებს ბიომრავალფეროვნების შემცირებას. ცხადია პრობლემები მრავალწახნაგოვანია და საჭიროებს ბუნებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და ისტორიულ-კულტურული ასპექტების ერთობლივ ანალიზს. ასეთი ინტეგრირებული კვლევები მთელ რიგ პრობლემებთანაა დაკავშირებული, მეტადრე ისეთ რეგიონში როგორც სამცხე-ჯავახეთია. კვლევის მიზანია უმთავრესი გეოეკოლოგიური პრობლემების შესწავლა და ანალიზი და შესაბამისად გარემოზე მოქმედი იმ მნიშვნელოვანი რისკების შეფასება რომლებიც არსებობს რეგიონში.

5. ნაშრომში გაანალიზებულია მდინარე ვერეს აუზში 2015 წლის 13 ივნისს, მომხდარი სტიქიური მოვლენის წარმოქმნისა და განვითარების გამომწვევი მიზეზები და ის კატასტროფული შედეგები რაც გამოიწვია აღნიშნულმა პროცესებმა ასევე მოცემულია რეკომენდაციები საშიში სტიქიური მოვლენების პრევენციისათვის და შედეგების შერბილებისათვის.

6. კვლევის მიზანია ტერიტორიული დაგეგმარებისათვის სამცხე-ჯავახეთის ლანდშაფტურ-ეკოლოგიური მოდელის შექმნა რომლითაც დაინტერესებული მხარეები მიიღებენ სათანადო ინფორმაციას და განსაზღვრავენ ლანდშაფტებში მოსალოდნელ ცვლილებს. კვლევის ამოცანებია საკვლევი რეგიონის: ლანდშაფტთა გეოეკოლოგიური (კლიმატი, ჰიდროლოგია, ნიადაგები და ა.შ.) ინვენტარიზაცია როგორც საფონდო მასალების დამუშავების ისე საველე-საექსპედიციო კვლევის შედეგად, გის-ის მონაცემთა ბაზის შექმნა,

რეგიონის მსხვილმასშტაბიანი შეფასება და მდგრადი ბუნებათსარგებლობისათვის რეკომენდაციების შემუშავება.

7. საქართველოს მდინარეებზე ყოველწლიურად დაკვირვებული წყალმოვარდნებიდან და წყალდიდობებიდან ყველას არ მივყავართ დამანგრეველ შედეგებამდე, მრავალი მათგანი კატასტროფულ ხასიათს არ იძენს. წყალდიდობისა და წყალმოვარდნის კატასტროფული ხასიათი ძირითადად განპირობებულია თოვლის დნობის მეტისმეტი ინტენსიურობით, რომელიც კიდევ უფრო მძლავრი ხდება, როდესაც თოვლის დნობის პერიოდში წვიმის სახით მოდის მნიშვნელოვანი სიდიდის ატმოსფერული ნალექი. წყალდიდიობებისა დ წყალმოვარდნების შედეგების შერბილებისათვის მნიშვნელოვანია ამ ფენომენის დეტალური კვლევა. ჩვენს მიერ შედარებულია საქართველოს ზოგიერთი მდინარის (რიონი, ჭოროხი, აჭარისწყალი, მტკვარი, ფოცხოვი) წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების სიხშირეების ცვალებადობა. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია დაკვირვებულ პერიოდში ყოველწლირად ცალკეულ თვეში წყლის მაქსიმალური ხარჯების სხვადასხვა ინტერვალებში მოხვედრის რაოდენობაზე. ინტერვალები ცალკეული ბიჯებისათვის შერჩეულია მოდულური კოეფიციენტით, რადგან სხვადასხვა მდინარეებისათვის შესაძლებებლი იყოს უნიფიცირებული შედეგების მიღება. ასევე შესწავლილია წყალმოვარდნული აქტივობის კოეფიციენტი, რომელიც წყალშემკრები აუზის ფართობების გაზრდის შესაბამისად მცირდება. ყოველივე ეს კი საშუალებას გვაძლევს შევადაროთ ცალკეულ თვეებში მაქსიმალური ხარჯების ცვლილების დიაპაზონი.

8. ბუნებრივ გარემოზე დაკვირვებებმა აჩვენა, რომ თანამედროვე ინდუსტრიულ განვითარების ეპოქაში იგი განიცდის სხვადასხვა სახის არახელსაყრელ ზემოქმედებას, რის შედეგადაც მისი მდგომარეობა უარესდება და იგი დეგრადრდება. ინდიკატორების ცვალებადობა დროსა და სივრცეში ყველაზე კარგად განსაზღვრავს ბუნებრივი გარემოს მდგომარეობას და მოსალოდნელი საშიშროების რისკს. გარემო შესდგება უამრავი ელემენტებისაგან, რომლებსაც თან ახლავს ასევე უამრავი პროცესები, ყველა ამ ელემენტების გათვალისწინება სასურველია, მაგრამ პრაქტიკულად შეუძლებელია, ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია გარემოს იმ ძირითადი ელემენტების ამორჩევა, რომლსაც წამყვანი როლი ენიჭება გარემოს ფუნქციონირებაში. ჩვენს შემთხვევაში გარემოს ძირითად ელემენტად შერჩეულ იქნა ნიადაგი. ნაშრომის მიზანია საქართველოს ნაყოფიერი ნიადაგების მდგომარეობის რაოდენობრივი შეფასება და საშიში არახელსაყრელი სიტუაციების დადგომის რისკის გაანგარიშების მიახლოებით (ალბათური) მეთოდების შემუშავება. ასეთი მეთოდების აუცილებლობას კარნახობს ნიადაგების შენარჩუნება მინიმალური დანაკარგებით, რომელიც თავის მხრივ ხელს შეუწყობს გარემოსთან კაცობრიობის ჰარმონიულ თანამცხოვრებას და მდგომარეობის რადიკალურ გაუმჯობესებას.

9. საშუალო თვიური ხარჯების და წლიურიდან მათი წილების ცვალებადობის ტენდენციების დასადგენად ჩატარებულია უმნიშვნელოვანესი სამდინარო არტერიის მდინარე ალაზნის შიგაწლიური ჩამოანდენის გაანგარიშება. რაც ერთ-ერთი აქტუალური საკითხია კახეთის სარწყავი წყლით უზრუნველსაყოფად. გამოთვლილია მდ. ალაზანის (შაქრიანი) თვის საშუალო ხარჯები, მოდულური კოეფიციენტები, წილი პროცენტებში, ხარჯების ტრენდის კორელაციის კოეფიციენტები და წილების ტრენდის კორელაციის კოეფიციენტები 1966-86 წ.წ პერიოდისათვის. გათვლებმა გვიჩვენა, რომ ტრენდი არცერთ თვეში არ

ფიქსირდება, ხოლო ცალკეული თვეების ცვალებადობას თითქმის ერთნაირი ხასიათი აქვს, მზარდი და კლებადი ცვალებადობის ტენდენციები ხარჯებისა და პროცენტების მიხედვით თითქმის ერთნაირ სურათს გვაძლევს.

10. კლიმატის ცვლილება და მასთან დაკავშირებით ნალექებისა და მდინარის ჩამონადენის ცვალებადობას ძირითადად შეისწავლიან წლიურ ინტერვალებში. მასალების სტანდარტული დამუშავება და გამოქვეყნება ხდება კალენდარული წლებით (1/I-დან). ნაშრომში დადგენილია, რომ წლის სხვადასხვა დაწყებისას იცვლება წლიურ ჩამონადენსა და ნალექებს შორის ურთიერთკავშირის და ტრენდის კორელაციის კოეფიციენტი. რეკომენდირებულია წლიური ათვლა გაანგარიშებებში დაიწყოს წყალსამეურნეო წელს (1/IV), როდესაც წლიური სიდიდეების ერთგვაროვნება მეტად არის დაცული და წლიურ ნალექებსა და ჩამონადენს შორის კორელაციური კავშირები უდიდესია.

11. საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივის გულისხმობს, ერთის მხრივ, უზრუნველყოს საზღვაო გარემოს დაცვა და დაბინძურების მინიმიზერება და ამავე დროს, საზოგადოების მიერ ზღვის რესურსების გამოყენების მდგრადი რეჟიმის შენარჩუნება. იმისათვის, რომ, შესაძლებელი გახდეს ასეთი წინააღმდეგობრივი ამოცანების გადაწყვეტა ან შეჯერება აუცილებელია სისტემების ინტეგრირებული ანალიზი, რომელსაც უზრუნველყოფს ეკოსისტემური მიდგომა. ამგვარი მიდგომა წარმოადგენს ევროპული საზღვაო სტრატეგიის ქვაკუთხედს, წარმოაჩენს საზოგადოებასა და ეკოსისტემებს შორის ურთიერთობის მნიშვნელობას და ქმნის ეკოსისტებზე დაფუძნებული საზღვაო გარემოს მენეჯმენტის წინაპირობას.

12. საზღვაო გარემოში მიმდინარე პროცესების კვლევისას გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შესამცირებლად უმნიშვნელოვანესია შესაბამისი ადაპტაციური ღონისძიებების გატარება და ამ კუთხით ახალი ინსტრუმენტების გამოყენება. ამ მხრივ განიხილება ადაპტაციური ინსტრუმენტის (PERSEUS Adaptive Marine Policy Toolbox -AMP Toolbox) გამოყენების შესაძლებლობები, არსებული წინააღმდეგობები და პოტენციური შედეგები საქართველოს პირობებში.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	დ. კერესელიძე, ვ. ტრაპაიძე, ზ. გულაშვილი	მდინარე რიონი (საქართველო) წყლის ხარისხის ცვალებადობა	მე-5 საერთაშორისო კონფერენცია “კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაცია-2015”, 22-23/11/2015, კოლომბო.შრი-ლანკა
2	დ. კერესელიძე კ. ბილაშვილი ვ. ტრაპაიძე	მდინარეთა ნაპირების მოწყვლადობის შეფასება მათემატიკური მოდელებით	მე-15 საერთაშორისო გეოკონფერენცია “SGEM-2015”, 18-24/06/2015, ალბენა, ბულგარეთი
3	ი. ბარამიძე, ც. გვარიშვილი, ე. მიქაშავიძე,	ჰიდრობიოტა შავი ზღვის სანაპირო ზოლში	პერსეუსი-ს დასკვნითი სამეცნიერო კონფერენცია,

	გ. მახარაძე, კ. ბილაშვილი, მ. ვარშანიძე		ბრიუსელი, დეკემბერი, 2015
4	კ. ბილაშვილი, ვ. მელიქიძე	ამპ თულბოქსის (AMP Toolbox) გამოყენების პოტენციალის შეფასება ევროგაერთიანების და საქართველოს შორის დადებული ასოცირებული ხელშეკრულების გათვალისწინებით.	პერსეუსი-ს დასკვნითი სამეცნიერო კონფერენცია, ბრიუსელი, დეკემბერი, 2015
5	ბ.კალანდაძე, ვ. ტრაპაიძე	მძიმე მეტალების ზგავლენის რაოდენობრივი შეფასება ნიადაგის ნაყოფიერებაზე სამთოგამამდიდრებელი წარმოების მაგალითზე	მე-15 საერთაშორისო გეოკონფერენცია “SGEM-2015”, 18-24/06/2015, ალბენა, ბულგარეთი

1. თანამედროვე ცივილიზაციის არსებობისათვის აუცილებელია წყლის ობიექტების ინტენსიური გამოყენება რისთვისაც განუზომლად იზრდება ჰიდროლოგიურ ობიექტებზე ანთროპოგენური ზეგავლენის ფორმები და მასშტაბები. რიონი საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი სამდინარო არტერიაა, მის აუზი (13,4 ათ. კმ2) მოიცავს დასავლეთ საქართველოს უდიდეს ნაწილს, აუზში განლაგებულია მრავალი წყალსაცავი.მდინარე რიონი ძალზე წყალუხვი მდინარეა (31,4 ლ/წმ/კმ2)და მისი გამოყენება ხდება ენერგეტიკის, ირიგაციის, მოსახლეობის წყალმომარაგების საჭიროებისათვის, სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლადაუცილებელი ტექნოლოგიური ციკლისათვის. მდინარე რიონის წყლის რესურსების ხარისხზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული დასავლეთ საქართველოს ეკოლოგიური მდგომარეობა. მდინარის წყლის ხარისხზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჭიათურის მანგანუმის საბადოდან მოპოვებული მადნის დამუშავება, აღნიშნული საბადო ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში და ათეული წლების მანძილზე მოიპოვება ასეულობით მილიონი ტონა მადანი, საწარმოო ჩამდინარე წყალი დიდი რაოდენობით შეიცავს მანგანუმის ნაერთებს და შეწონილ ნაწილაკებს, პრობლემას ართულებს ისიც რომ მდინარის წყალი გამოიყენებასასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოსარწყავად.ასევე აუზის ქვემო წელში მდებარეობს კოლხეთის ჭარბტენიანი ტერიტორია, ხოლო შესართავთან (შავი ზღვა) პალიასტომის ტბა, შესაბამისად გამჭუჭყიანებელი ნივთიერებების მიგრაცია მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნისროგორც აღნიშნულ ეკოსისტემებს ის შავი ზღვის სანაპირო წყლებს. წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია მდინარე რიონის წყლის ხარისხობრივი ცვალებადობის გამომწვევი მიზეზები, მისი გავლენა მიმდებარე ეკოსისტემებზე, წყლის ხარისხის სხვადასხვა ელემენტებისათვის გაკეთებულიასტატისტიკური ანალიზი. ამ ანალიზის საფუძველზე მიღებულ იქნა დაკვირვებული რიგების სტატისტიკური პარამეტრების ამორჩევითი შეფასებები. შემუშავებულ იქნა წყლის მინერალიზაციის და სხვა ქიმიური იონების პროგნოზირების ალბათური მეთოდი, რომელიც ჯგუფურ მოდელირებაზეა დაფუძნებული.ვინაიდან რიონი ძალზე წყალუხვი მდინარეა, მაღალიაწყლის დინების სიჩქარეც, შესაბამისად ძალზე ინტენსიურად მიმდინარეობს თვითგაწმენდის პროცესებიც.გაჭუჭყიანებისა და თვითგაწმენდის პროცესებს

შორის კანონზომიერების შესწავლა და გაჭუჭყიანებული ნივთიერების გარდაქმნის ძირითადი ფაქტორების გამოვლენა გვაძლევს პროგნოზის საშუალებას თუ როგორი შეიძლება იყოს წყლის თვისება ადამიანის სამეურნეო საქმიანობის ზემოქმედებით. რაც მეტად მნიშვნელოვანია წყლის რესურსების აუზური მართვისა და კომპლექსური გამოყენების პერსპექტივაში დაგეგმარებისას

2. ბუნებრივ სტიქიურ მოვლენებს შორის, რომლებსაც გარკვეული ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური გართულებები მოაქვთ პირველობას არ თმობს წყალდიდობები და წყალმოვარდნები. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მდინარის წყალგამტარი არტერიიდან, (კალაპოტიდან) წყლის გადმოდინება უმეტეს შემთხვევაში უკავშირდება ნაკადის მიერ სანაპირო ზოლის დაზიანებას და მისი როგორც წყლის შემაკავებელი ობიექტის ფუნქციის მოშლას, სწორედ ამიტომ საჭიროა მდიანრის სანაპიროს მოწყვლადობის შეფასება. მოწყვლადობის ქვეშ იგულისხმება ობიექტის თვისება წინააღმდეგობა გაუწიოს მასზე არსებულ დატვირთვებს (ზემოქმედებას), მოწყვლადობის ხარისხი დამოკიდებულია როგორც დატვირთვის ინტენსივობაზე და ხანგრძლივობაზე, ისე ობიექტის შემადგენელი ელემენტებს შორის არსებულ ურთიერთკავშირზე. მოწყვლადობის კრიტიკული ზღვარი განაპირობებს ობიექტის უმტყუნო ფუნქციონირების დიაპაზონს. მოწყვლადობის შეფასება სასურველია მოხდეს ყველა იმ მაჩვენებლის მიხედვით, რომელიც ახასიათებს მის კრიტიკულ მნიშვნელობას, რაც თითქმის შეუძლებელია, ამიტომ უნდა შეირჩეს ამ კრიტიკული მახასიათებლების ინდიკატორებიდან ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი, რომლის მიხედვითაც განხორციელდება ობიქტის მოწყვლადი მდგომარეობის ანალიზი. მოწყვლადობის თეორიის შესაფასებლად გამოიყენება საიმედოობის თეორიის ერთ-ერთ ცნობილი მოდელი "დატვირთვა-სიმტკიცე". ჩვენს შემთხვევაში "დატვირთვის" მხრიდან განმსაზღვრელ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს წყლის ნაკადის ფსკერული სიჩქარე რომლის დადგენაც შესაძლებელია კალაპოტის მორფომეტრიული მახასიათებლების, ჰიდროლოგიური და ჰიდრავლიკური ელემენტების მნიშვნელობათა გათვალისწინებით. სანაპიროს მხრიდან სიმტკიცის განმსაზღვრელი ფაქტორი იქნებოდა გრუნტის შეჭიდულობის ინტეგრალური მახასიათებელი, რომელიც განსაზღვრავს წყლის ნაკადის დასაშვებ არაგამრეცხ) სიჩქარეს, ეს უკანასკნელი კი არის წყლის ნაკადის ის მაქსიმალური სიჩქარე, როემლიც არ იწვევს მოცემული გრუნტის გარეცხვას.
3. ნაშრომში მოცემულია პროექტ პერსეუსი–ს ფარგლებში ჩატარებული ჰიდროქიმიური (ნიტრატების და ფოსფატების შემცველობის, Ph, მარილიანობა და ა.შ.) და ბიოლოგიური (ეპიფაუნის, ფიტოპლანქტონის, ზოოპლანქტონის, ბენტოსის) კვლევების ანალიზი.
4. ნაშრომში განხილულია საზღვაო პოლიტიკის ადაპტაციური ინსტრუმენტის (PERSEUS Adaptive Marine Policy Toolbox -AMP Toolbox) გამოყენების შესაძლებლობები, არსებული წინააღმდეგობები და პოტენციური შედეგები საქართველოს პირობებში.
5. გარემოს გლობალური დაბინძურება და ეკოლოგიური უსაფრთხოება XXI საუკუნის ნომერ პირველ პრობლემად იქცა. მისი გავლენა საქართველოზეც მნიშვნელოვანია ვინაიდან მზარდი ანთროპოგენური დატვირთვის ფონზე გარემოს როგორც ერთიანი და მთლიანი კომპლექსის, ასევე მისი შემადგენელი კომპონენტების დაცვა ძალზე აქტუალური საკითხია. ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის უძველესი დარგია, თანამედროვე ბუნებრივი და ტექნოგენური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად სასოფლო-სამეურნეო სავარგულების

ნაყოფიერების შენარჩუნება და ზოგადად ნიადაგური რესურსები შეიძლება განვიხილოთ ქვეყნისათვის როგორც სტრატეგიული ამოცანა და რესურსი. ნიადაგების გაჭუჭყიანების საქმეში ერთ-ერთი ძირითადი სოფლის მეურნეობაა. მასში გამოყენებული ქიმიზაციის საშუალებებით – მინერალური და ორგანული სასუქებით, პესტიციდებით, მცენარეთა ზრდის სტიმულატორებით და სხვა, ხოლო სტრეს-ინდექსების მიხედვით განსაკუთრებული ზეგავლენით მაინც მძიმე მეტალები გამოირჩევიან.ნიადაგის ნაყოფიერებაზე მძიმე მეტალების ზეგავლენის ზუსტი რაოდენობრივი შეფასება საკმაოდ რთულია. ჩვენს მიერ რეალურთან მაქსიმალურად მიახლოებული სურათის შესაქმნელად შესწავლილ იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი - ბოლნისის მუნიციპალიტეტი. აქ წარმოდგენილია ძირითადად მდელოსა და ტყისკენ გარდამავალი ყავისფერი ნიადაგები, რომლებიც ხასიათდებიან ჰუმუსის საშუალო და მაღალი შემცველობით, კარგი მექანიკური შედგენილობით, ნეიტრალური და ტუტისკენ გარდამავალი რეაქციით. ბოლნისის მინიციპალიტეტი ამავე დროს მნიშვნელოვანი სამთამადნო რეგიონია. ისინი მძლავრ ტექნოგენურ ზემოქმედებას ახდენენ გარემო კომპონენტებზე: ნიადაგებზე, წყლებზე, ანუ ნიადაგები განიცდიან მზარდ ანტროპოგენურ ზემოქმედებას. სწორედ სამთამადნო წარმოების ზეგავლენის შედეგად ნიადაგისა და წყლების გაჭუჭყიანების რაოდენობრივი შეფასება წარმოადგენს ჩვენი კვლევის საგანს, კერძოდ სტატიაში გაანალიზებულია მძიმე მეტალების (ტყვიის, თუთიის, სპილენძის, კადმიუმის) მიგრაციის სიხშირე და ცვალებადობა, დაბინძურების გამომწვევი ბუნებრივი და ტექნოგენური ფაქტორები, გაჭუჭყიანების ფორმები და არეალები, მათი გავლენა მიმდებარე აგროეკოსისტემებზე და სხვა.

6.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	პერსეუს-ი	კ. ბილაშვილი	ვ. ტრაპაიძე დ. კერესელიძე ვ. მელიქიძე თ. რაზმაძე მ. ვარშანიძე ზ.სავანელი	უცხოური გრანტი (ევროგაერთიანება)
2	სითიდანეტ II	კ. ბილაშვილი	ვ. ტრაპაიძე თ. რაზმაძე ზ.სავანელი	უცხოური გრანტი (ევროგაერთიანება)
3	შავი ზღვის ტურისტული ქსელი	კ. ბილაშვილი	ვ. ტრაპაიძე გ.მელაძე ნ.პავლიაშვილი ი.სალუქვაძე	უცხოური გრანტი (ევროგაერთიანების ერთობლივი საოპერაციო

			ვ.მელიქიძე ნ.ცინცაძე თ.რაზმაძე	პროგრამა შავი ზღვის აუზი "2007-2013 წწ")

1. პროექტი **P**olicy-oriented marine **E**nvironmental **R**esearch in the **S**outhern **EU**ropean **S**eas – PERSEUS) განხორციელდა ევროკომისიის 7–ე ჩარჩო პროგრამის ფარგლებში 2011–2016 წ.წ. პროექტი მოწოდებულია ხელი შეუწყოს ევროპის საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივის (The Marine Strategy Framework Directive –MSFD) იმპლემენტაციას. იგი ამოქმედდა 2008 წლის 15 ივლისს. დირექტივა გულისხმობს, ერთის მხრივ, უზრუნველყოს საზღვაო ბიოტას დაცვა და დაბინძურების მინიმიზერება და ამავე დროს, საზოგადოების მიერ ზღვის რესურსების გამოყენების მდგრადი რეჟიმის შენარჩუნება.იმისათვის, რომ, შესაძლებელი გახდეს ასეთი წინაამღმდეგრობრივი ამოცანების გადაწყვეტა ან შეჯერება აუცილებელია სისტემების ინტეგრირებული ანალიზი, რომელსაც უზრუნველყოფს ეკოსისტემური მიდგომა (Ecosystem Approach – EcAp). ამგვარი მიდგომა წარმოადგენს ევროპული საზღვაო სტრატეგიის ქვაკუთხედს, წარმოაჩენს საზოგადოებასა და ეკოსისტემებს შორის ურთიერთობის მნიშვნელობას და ქმნის ეკოსისტებზე დაფუძნებული (Ecosystem-Based) საზღვაო გარემოს მენეჯმენტის წინაპირობას. დირექტივა წარმოადგენს საზღვაო ბიომრავალფეროვნებისადმი პან–ევროპული მიდგომის პირველ საკანონმდებლო ინსტრუმენტს;

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს ევალებათ საზღვაო სტრატეგიის განვითარების და სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვისას იხელმძღვანელონ ეკოსისტემებზე დაყრდნობილი მიდგომით; დირექტივის იმპლემენტაციის ყოველი ეტაპი აუცილებელია განხორციელდეს რეგიონალურ კოოპერაციაზე დაყრდნობით; შემუშავდა ევროკავშირის დასკვნა კარგი ეკოლოგიური სტატუსის კრიტერიუმების და ერთობლივი მეთოდოლოგიური სტანდარტების თაობაზე. საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივა ითვალისწინებს 11 განმსაზღვრელს (დისკრიპტორს), 29 კრიტერიუმს და 59 ინდიკატორს.

პროექტის შედეგები: დირექტივაში მოცემული დისკრიპტორების შესაბამისად პროექტების პერსეუსი–ს და ემბლასი–ს ფარგლებში შემუშავდა საზღვაო მონიტორინგის რამოდენიმე ქვეპროგრამა, კერძოდ: დამაბინძურებლები, ეუთროფიკაცია, მყარი ნარჩენები. განსასაზღვრი პარამეტრების შერჩევისას გათვალისწინებულია საზღვაო ჩარჩო დირექტივის (MSFD), შავი ზღვის კომისიის მიერ დადგენილი მონიტორინგისა და შეფასების პროგრამის (BSIMAP) და ევროსაბჭოს ხარისხის სტანდარტის (EQS Directive) პრინციპები. პროექტის, კიდევ ერთი, მნიშვნელობანი შედეგია ეკოსისტემებზე დაფუძნებულ მენეჯმენტის გატარებისათვის სათანადო სახელმძღვანელო ინსტრუმენტის შექმნა გადაწყვეტილების მიმღები პირებისათვის. ეკოსისტებზე დაფუძნებული (Ecosystem-Based) საზღვაო გარემოს მენეჯმენტი მოითხოვს დიდი რაოდენობით აქტორების ჩართვას. იგი ხასიათდება გაურკვევლობის მაღალკი ხარისხით, მოითხოვს სამომავლო ცვლილებების გათვალისწინებას და ახალ ცოდნაზე (ინფორმაციაზე) ადექვატურ რეაგირებას. ამიტომ, საზღვაო სტრატეგიის ჩარჩოს დირექტივის (MSFD) ყველა ევროპულ საზღვაო ქვეყანაში განვრცობის და იმპლემენტაციის გარდა, პროექტის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა საადაპტაციო პრაქტიკული მეთოდების და ინსტრუმენტების გამომუშავება, რაც განსაკუთრებით საინტერესოა საქართველოსათვის. ამისათვის შემუშავდა საადაპტაციო პოლიტიკის ჩარჩო პროგრამა (Adaptive Policy Framework – APF), რომელიც შედგება ორი კომპონენტისაგან, კერძოდ, მოიცავს ინსტრუმენტების

პაკეტს და მესაკუთრეთა (სთეიქჰოლდერების) და პოლიტიკოსთა სამოქმედო პლათფორმას. იგი უზრუნველყოფს სხვადასხვა დონის სამენეჯმენტო სქემებს და საადაპტაციო პოლიტიკას, რომელთა იმპლემენტაცია მიზნად ისახავს კარგი გარემოს სტატუსის მიღწევას სამხრეთევროპული ზღვების ეკოსისტემებში და ამით, სანაპირო ქვეყნების მდგრად განვითარებას. ასეთ თულბოქსს საფუძვლად უდევს ე.წ. „ადაპტაციური“ პოლიტიკის რეალიზაციის პრინციპი, რომელიც, ითვალისწინებს – წინმსწრებ შეფასებას, განუსაზღვრელობის და ცოდნის (ინფორმაციის) ხარვეზების მხედველობაში მიღებას, რისკებზე რეაგირებას, განხორციელების პროცესში პოლიტიკის კორექტირების (ადაპტაციის) საშუალებას.

2. საერთაშორისო პროექტი “სიდატანეტ 2”-ი (SeaDataNet 2, 2011-2015 წ.წ.), რომელშიც მონაწილეობს ევროპის ყველა საზღვაო ქვეყანა პლუს საერთაშორისო ორგანიზაციები (სულ 43 პარტნიორი), წარმოადგენს ევროკავშირის მე-7 ჩარჩო პროგრამის ინტეგრირებული კვლევის ინფრასტრუქტურულ ინიციატივას, რომელიც უზრუნველყოფს ოკეანოგრაფიულ მონაცემთა მენეჯმენტის სისტემას, ადაპტირებულს როგორც ფრაგმენტარული დაკვირვებების ბაზების გამოყენებაზე, ასევე მომხმარებლის იმ მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, რომელიც ეხება მონაცემთა შესახებ ინფორმაციას (მეთადატას), წარმოებულ პროდუქტს და ინტეგრირებულ მომსახურეობას. ოკეანოგრაფიული მონაცემთა ხელმისაწვდომობა ძალიან მნიშვნელოვანია ყველა სახის კვლევებისათვის, იქნება ეს კლიმატური ცვლილებების პროგნოზი თუ საზღვაო საინჟინრო სამუშაოების წარმოება. უკანასკნელ დრომდე, საზღვაო მონაცემები, რომელთაც ასეულობით ორგანიზაცია მოიპოვებს ძნელად მისაღწევი რჩება. შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს ინფორმაციის დამუშავების სტანდარტების და კომუნიკაციის ერთიანი სისტემის შექმნას, რომელიც მონაცემთა მწარმოებლებს ინტეგრირებულ ქსელში გააერთიანებს. ამ ამოცანის გადაწყვეტა საერთაშორისო პროექტების – “სიდათანეტი 1/2”-ს ფარგლებში განხორციელდა.

პროექტის ფარგლებში დამუშავდა ახალი პროგრამული პროდუქტები, რათა განხორციელდეს ოკეანოლოგიური მონაცემების მიწოდება მომხმარებლისათვის უნიფიცირებული პანევროპული მეთოდებით; შეიქმნა ევროპული ზღვების სამეცნიერო კვლევის, მონაცემთა მენეჯმენტის ერთიანი პოლიტიკის, მათი დამუშავების, კონტროლის და მიღწევადობის ინტეგრირებული სისტემის პირველი მოქმედი ვერსია სათანადო ლექსიკონებით და სოფტით; შეიქმნა საქართველოში არსებული ოკეანოგრაფიული ინფორმაციის მეთადატის პირველი ქართული ელექტრონული კატალოგი (www.oceandna.ge); ჩატარდა ყველა სახეობის ოკეანოგრაფიული მონაცემების ერთიანი ინდექსაცია, რის შედეგად საქართველოს მონაცემების უმეტესი ნაწილი XML (CDI /ODV) ფორმატში უკვე ჩაიტვირთა ევროპულ ბაზებში; შემუშავდა “სიდათანეტ”-ის მონაცემთა მართვის ევროპული პოლიტიკის საფუძვლები; შეიქმნა ახალი პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტები - MIKADO, DIVA, NEMO, ODV, რომლის მეშვეობით მონაცემთა ბაზების მფლობელებს შეუძლიათ ავტომატურ რეჟიმში მიაწოდონ მონაცემები ან მეთადატა პანევროპულ ბაზებს და განახორციელონ საბოლოო პროდუქტების შექმნა.

3. შავი ზღვის ქსელის შექმნა ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის ბულგარეთში, რუმინეთში, უკრაინაში, მოლოდოვასა და საქართველოში”

(CREATION OF A BLACK SEA NETWORKFOR SUSTAINABLE TOURISM DEVELOPMENT IN BULGARIA, ROMANIA, UKRAINE, MOLDOVA AND GEORGIA (BS TOURISM NET) შპროექტის განხორციელების შედეგად: შეიქმნა და ამუშავდა შავი ზღვის ერთობლივი და მდგრადი ტურიზმის ქსელი, რომელიც მოიცავს ყველა იმ წამყვან ორგანიზაციებს, რომელნიც ჩართულები არიან ტურიზმის განვითარებასა და პოლიტიკაში ეროვნულ, რეგიონალურ და ტრანსსასაზღვრო დონეზე. გაუმჯობესდა ცოდნის გაზიარების პროცესი და თანამშრომლობა ეროვნული და რეგიონალური ტურისტული ინფორმაციის პროვაიდერებსა და ტურისტულ ინდუსტრიას შორის; წახალისდა და განვითარდა მდგრადი ტურიზმის პოტენციალი ბულგარეთში, რუმინეთში, უკრაინაში, მოლდოვაში და საქართველოში ეროვნულ, საერთაშორისო და შავი ზღვის რეგიონალურ დონეზე; გაუმჯობესდა ტურიზმის შესახებ არსებული მონაცემების და ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობა და მისი ხელმისაწვდომობა შავი ზღვის ტურიზმის ინტერაქტიული ვებ-პორტალის მეშვეობით. ჩატრდა ეროვნული შეხვედრა-სემინარები და სოციოლოგიური გამოკითხვები ტურზმით დაინტერესებულ პირებს შორის, დამუშავდა ეროვნული და ტრანსასაზღვრო სოციალურ-ეკონომიკურად და ბუნების დაცვის კუთხით დასაბუთებული ერთობლივი ტურისტული პროგრამები, შემუშავდა სტეიქჰოლდერების სია და მოხდა მათი გაერთიანება ერთიან ქსელში და სხვ.

IV. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	ემოდნეტ II	კ. ბილაშვილი	ვ.ტრაპაიძე დ.კერესელიძე ნ.მაჩიტაძე ვ.გვახარია	უცხოური გრანტი (ევროგაერთიანება)
დასრულდა პროექტის მე-2 ეტაპი. შეიკრიბა და დამუშავდა შავი ზღვის გარემოს მდგომარეობის შესახებ ამ დროისათვის მოპოვებული მონაცემები.				

გეომორფოლოგია-კარტოგრაფიის კათედრა

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი ***პროფ. დალი ნიკოლაიშვილი***

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა

- **ასოც. პროფ. თენგიზ გორდეზიანი**
- **ასისტ. პროფ. ცეცილია დონაძე**
- **ასისიტ. პროფ. გიორგი დვალაშვილი**
-

II. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის
დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
(ეხება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

II. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	თემატური რუკის შედგენა გის-ტექნოლოგიების გამოყენებით (SC/59/9-101/14, კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით)	დალი ნიკოლაიშვილი	ქეთევან რაზმაძე დავით სვანაძე
თბილისის 31-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები გაეცნენ გეოინფორმაციული ტექნოლოგიების ძირითად პრინციპებს, მისი გამოყენების სფეროებს, აგრეთვე შეისწავლეს გლობალური პოზიციონირების სისტემის - GPS-ის პრაქტიკული გამოყენება. სკოლას გადაეცა სანავიგაციო სისტემა GPS, კომპიუტერი, პრინტერი, ფოტოაპარატი და სხვადასხვა კარტოგრაფიული ნაწარმოებები. სტატისტიკური მონაცემების დამუშავების საფუძველზე და გის-ტექნოლოგიების გამოყენებით, შეიქმნა საქართველოს ყველაზე ცხელი დღეების რუკა და სხვადასხვა მეტეოსადგურების მონაცემები გააანალიზდა სივრცე-დროით ჭრილში.			

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ტერიტორიული დაგეგმარებისათვის სამცხე-ჯავახეთის ლანდშაფტურ-ეკოლოგიური შეფასება გის-ანალიზის მეშვეობით (AR/105/9-280/13, 04.04.2014, გამოყენებითი კვლევები)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	დალი ნიკოლაიშვილი	ძირ. შემსრ.: ბესიკ კალანდაძე ვაჟა ტრაპაიძე ლამზირა ლაღიძე რობერტ მაღლაკელიძე ზურა ლაოშვილი დამხმ. შემსრ.: დავით სართანია, რევაზ თოლორდავა, თინათინ ნანობაშვილი და სხვ.

პროექტის III და IV ტრანშის ფარგლებში ძირითაი თეორიული და პრაქტიკული შედეგებია:

- შეიქმნა სამცხე-ჯავახეთის ლანდშაფტური რუკა 1:50,000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკის საფუძველზე, რისთვისაც ასევე გამოყენებულია სხვადასხვა სამეცნიერო, კარტოგრაფიული, სტატისტიკური, 2014-2015 წლებში პროექტის ფარგლებში ჩატარებული ექსპედიციების საველე მასალები. რუკაზე დატანილია ბტკ-ების ვერტიკალური სტრუქტურის ტიპები, რაც დაეფუძნა პროფ. ნ. ბერუჩაშვილის მიერ შემუშავებულ სივრცე-დროითი ანალიზისა და სინთეზის კონცეფციას. რუკა ელექტრონულ ფორმატშია;
- განხორციელდა რეგიონის ბუნების კომპონენტებისა და სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებელთა სივრცე-დროითი ანალიზი. შექმნილია თემატურ რუკათა სერია;
- დაწყებულია რეგიონის ლანდშაფტთა კომპიუტერული მოდელის შექმნა და შექმნილია გის-ის მონაცემთა ბაზა;
- 2015 წელს ჩატარდა ექსპედიცია ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში, რის შედეგადაც აღიწერა 60 ლანდშაფტური ნაკვეთი და განხორციელდა მოსახლეობის გამოკითხვა ტრადიციული და თანამედროვე ბუნებათსარგებლობით საკითხებზე.

ამჟამად მიმდინარეობს პროექტის დამამთავრებელ IV ტრანშზე მუშაობა (პროექტი დასრულება: 4.04.2016)

II. 4.

2	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თ. გორდეზიანი ც. ბექურაიძე	თუშეთი (გზამკვლევი)	თბილისი, გამომც. "გეოიდი 2011"	42
ანოტაციები ქართულ ენაზე:				
მონოგრაფიული შინაარსის ნაშრომი წარმოადგენს გზამკვლევს, რომელშიაც წარმოდგენილია რეგიონის გარემოსდაცვითი პრობლემების მიმოხილვა. ნაშრომი მოიცავს რეგიონის: ტყიანობის რუკას, ზედაპირის დახრილობის რუკას, ფერდობთა ექსპოზიციების რუკას, დაცული ტერიტორიების რუკას, საველე კვლევების შედეგად გამოვლენილი დეგრადირებული მიწების რუკას და ტურისტულ-რეკრეაციულ რუკას. გზამკვლევი ილუსტრირებულია ფოტომასალით.				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნიკოლაიშვილი დ. თოლორდავა რ.	საქართველოს სახელმწიფო საზღვრის რეტრო-სპექტივა ალ. ჯავახიშვილის შრომების მიხედვით.	ეძღვნება აკად. ალ. ჯავახიშვილის 140 წლის იუბილეს	თბილისი: თსუ	გვ. 30-34

		საერთაშორისო კონფერენციის მასალები „გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები“			
2	თოლორდავა რ., ნიკოლაიშვილი დ., გორდეზიანი თ., თოლორდავა თ.	საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთის ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებანი	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XIII. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სერია	თბილისი: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა თბილისი	იბეჭდება (2015)
3	თოლორდავა რ., ნიკოლაიშვილი დ., ლემონჯავა ბ.	ლუგელის ხეობისა და მიმდებარე ტერიტორიების ტოპონიმიის გეოგრაფიულ-კარტომეტრიული ანალიზი	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XIII. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სერია	თბილისი: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა თბილისი	იბეჭდება (2015)
4	ლეჟავა ზ., წიქარიშვილი კ., დვალაშვილი გ.,ჩართოლანი გ., ხუციშვილი გ.	სამხრეთ იმერეთის კირქვული რაიონის კარსტულ-სპელეოლოგიური კვლევის წინასწარი შედეგები. - მეცნიერება და ტექნოლოგიები	№2	საგამომცემლო სახლი თბილისი „ტექნიკური უნივერსიტეტი,	გვ. 25-32
5	წერეთელი ე., გაფრინდაშვილი მ., ქურციკიძე ო., დონაძე ც., ნანობაშვილი თ.	საქართველოში გეოლოგიური საფრთხეების მდგომარეობა და მათი ზრდის რისკის ტენდენციები. შრომათა კრებული.	შრომათა კრებული. V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: ”წყალთა მეურნეობის, გარემოს დაცვის, არქიტექტურისა და მშენებლობის თანამედროვე პრობლემები”. 16-19ივლისი, 2015. ეძღვნება აკადემიკოს ცოტნე მირცხულავას დაბადების 90 წლისთავს.	თბილისი, წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი, გარემოს დაცვის ეკოცენტრი. 2015 წ.	გვ. 306-315
6	წერეთელი ე., გაფრინდაშვილი ბ., დონაძე ც., ნანობაშვილი თ. ქურციკიძე ო.	Some aspects of the methodology of disaster Geological process hazard and risk mapping on the example of Georgia.	Collected Papers: International Conference: “Applied Ecology: Problems, innovations”.	Tbilisi-Batumi, 2015.	გვ. 30-37

			Proceedings ICAE-2015.		
7	სართანია დ., ნიკოლაიშვილი დ., კოხრეიძე ა., უჯმაჯურიძე ა., გულაშვილი ზ.	გეოგრაფიული სახელწოდებების ივანე ჯავახიშვილის „ისტორიული რუკის“ მიხედვით	ქართველური ონომასტიკა VII. თბილისი: „უნივერსალი“	თბილისი	გვ. 246-260
8	თ. გორდეზიანი	ტოპოგრაფიული რუკა სამხედრო საქმის თვალია	“არსენალი”, ანალიტიკური ჟურნალი, №2 (204)	თბილისი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გამომცემლობა	2

ანოტაციები ქართულ ენაზე:

1. სტატიაში მოცემულია საქართველოს სახელმწიფო საზღვრის 1930-იანი წლების რეტროსპექტიული სურათი ალ. ჯავახიშვილის კარტოგრაფიული ნაწარმოებების მიხედვით. კვლევის საფუძვლად გამოყენებულია მეცნიერის მიერ, ამ წლებში გამოცემული საქართველოს ორი ზოგადგეოგრაფიული რუკა: მასშტაბები: 1:400,000 (ჯავახიშვილი, ცხაკაია, 1931-1932) და 1:200,000 (ჯავახიშვილი, ცხაკაია, 1932). საქართველოს სოციალისტური საბჭოთა სასწავლო ფიზიკური რუკა. შემუშავებული კვლევის მიზნიდან გამომდინარე, გადაიჭრა რამდენიმე ამოცანა:

- აღნიშნული რუკებისა და სხვა წყაროების საფუძველზე, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ისტორიული ტრანსფორმაციების დადგენა;
- მიღებული შედეგების შედარება სხვადასხვა წყაროებთან და თანამედროვე მდგომარეობასთან.

კვლევა უმთავრესად დაეფუძნა ალ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილ რუკებს, თუმცა ურთიერთშედარებისა და არსებული ვითარების უკეთ წარმოჩენის მიზნით, ასევე გაანალიზდა და შეფასდა სხვადასხვა პერიოდის კარტოგრაფიული წყაროები (XIX საუკუნის „ვერსიანი“, საბჭოთა ტოპოგრაფიული და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული რუკები). კვლევისათვის ასევე გამოყენებულია საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის, ნორმატიული, გეოგრაფიული, ისტორიული, საარქივო მასალები, ალ. ჯავახიშვილის გამოუქვეყნებელი ჩანაწერები.

2. ნაშრომში მოცემულია საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ჩრდილო-აღმოსავლეთი მონაკვეთის (მთა დიკლოსმთიდან მთა ტინოვროსომდე) გამმიჯნავი ხაზის კარტოგრაფიულ-გეოგრაფიული კვლევა, რომელიც დაეფუძნა როგორც არსებული კარტოგრაფიული მასალებისა და ადგილობრივი გეოგრაფიული პირობების შესწავლას. ტოპოგრაფიული რუკებისა და მათი ელექტრონული ანალოგების ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია ყოფილ საბჭოთა კავშირში რესპუბლიკებს შორის არსებული ადმინისტრაციული საზღვრის სახელმწიფო საზღვრის რანგში აყვანის მანკიერი შედეგები. ჩატარებულია სასაზღვრო ზოლში არსებული ფიზიკურ-გეოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის კარტომეტრიული ანალიზი. კვლევის შედეგად გამოვლენილია მოცემულ მონაკვეთზე სახელმწიფო საზღვრის გატარების საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული წესების უგულვებელყოფის მრავალი მაგალითი. ნაჩვენებია მაღალმთიანი რელიეფის პირობებში ადმინისტრაციული საზღვრის დელიმიტაციისა და ადგილზე მარკირების გარეშე სახელმწიფო მიჯნად „გარდასახვის“ სირთულეები. კვლევის შედეგები მოდელირებულია ნახაზებში და ცხრილში.

3. ნაშრომში მოცემულია ლუგელის ხეობისა და მიმდებარე ტერიტორიების ტოპონიმიის გეოგრაფიულ-კარტომეტრიული ანალიზი. კვლევის ძირითად საფუძვლად გამოყენებულია საბჭოთა (მასშტაბები 1:10000 და 1:25000) და ქართულენოვანი (მასშტაბი 1:50000) ტოპოგრაფიული რუკები, აგრეთვე სატელიტური რუკები (GoogleEarth). ამ რუკებზე ასახული ტოპონიმები შედარებულია სტატისტიკურ გამოცემებს, სამეცნიერო წყაროებსა [ცხადაია ..... 2007] და საველე გამოკითხვის მასალებს. საველე კვლევა ჩატარდა 2013-2015 წლებში. სხვადასხვა სახის წყაროს გამოყენების საფუძველზე შესაძლებელი გახდა დაგვედგინა აბორიგენული ტოპონიმები ზუსტი ლოკალიზაციის მითითებით ადგილზე და განგვესაზღვრა მათი გეოგრაფიული კოორდინატები სატელიტური რუკების მეშვეობით.

კვლევის პროცესში ჩატარებულია ხეობაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული კარტოგრაფიული და სხვა სახის გეოგრაფიული წყაროების, ასევე საველე კვლევის საფუძველზე მოძიებული ტოპონიმების საფუძვლიანი ექსპერტიზა. ლოკალიზებულია და დადგენილია მათი გეოგრაფიული მიკუთვნილება. კვლევის მასალები და სხვა სახის კარტომეტრიული მონაცემები მოდელირებულია ცხრილებსა და რუკებში.

4. სამხრეთ იმერეთის მთისწინა ზოლის რელიეფი წარმოდგენილია ბორცვიანი და დაბალი მთებით. ტექტონიკურად ტერიტორია მოქცეულია გარდამავალ ზოლში გურიის ბაქნიდან- გეოსინკლინისაკენ და წარმოდგენილია ანტიკლინებით და სინკლინებით, რომელიც გართულებულია შეცოცებებით, რღვევებით, ნასხლეტებით, ნაპრალთა სისტემებით, წყვეტილი ვერტიკალური მოძრაობებით. რელიეფის ფორმირებაში სწორედ აღნიშნულმა პროცესებმა ითამაშა გადამწყვეტი როლი და მნიშვნელობა, რის შედეგადაც გაბატონებულია კარგად გამოხატული ტექტონიკური საფეხურები, რღვევებში ჩასახული მდინარეთა ხეობები. აღმავალი ვერტიკალური მოძრაობების და ტერიტორიის ეროზიული დანაწევრების კვალდაკვალ ადგილი ჰქონდა მდინარეული ქსელის გარდაქმნას, რასაც ხელი შეუწყო ადვილად გადარეცხვის უნარიანი ზედა ეოცენური ტერიგენული ნალექების ინტენსიურმა გარეცხვამ, რის შედეგადაც განვითარდა რელიეფის რელიქტური ფორმები-ტერასები, უნაგირები, მკვდარი ხეობები და ა. შ. აღნიშნულ ზოლში რელიეფში განედური მიმართულებით მორიგეობენ მორფოლოგიურად კარგად გამოხატული მონოკლინური მასივები დაბალი მთების სახით. ჩვენი ყურადღება მიიპყრო სოფ. სოფ. ბზვანის, ისრითის და დიხაშხოს მიდამოებში გაშიშვლებულმა ზედაცარცულმა კირქვებმა, რომელიც მნიშვნელოვანი ნაპრალიანობით და დაკარსტულობით გამოირჩევა (კირქვებთან ერთად წარმოდგენილია მერგელები და ქვიშაქვები). ამ ქანებითაა აგებული ზემოთ აღნიშნული ერთ-ერთი მონოკლინური სტრუქტურის მთა (სერი), რომელსაც ჩვენ ბზვანის მთა ვუწოდეთ.

კარსტული ძაბრების ფსკერზე განვითარებულ პონორებიდან არ გამოვრიცხვთ დაბინძურებულ წყლების მოხვედრის შესაძლებლობას კარსტულ წყაროებში ან მოსახლეობის მიერ მოწყობილ ჭის წყლებში. აქედან გამომდინარე საჭიროდ მიგვაჩნია მოხდეს წყალკარგვის კერების გამოვლენა, ჩატარდეს მიწისქვეშა წყლების ტრასირების ექსპერიმენტები და შესაბამისად შემუშავდეს რეკომენდაციები.

ამრიგად, ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევებით პირველად დადგინდა, რომ ბზვანის მონოკლინურ მთაზე რელიეფის ეროზიულ-დენუდაციურ ფორმებთან ერთად კარგადაა გამოხატული კარსტული ზედაპირული და მიწისქვეშა ფორმები, რაც შესაძლებლობას იძლევა ბზვანის მთა გამოიყოს ცალკე, იზოლირებულ კირქვულ მასივად. მომავალში საჭიროდ მიგვაჩნია ბზვანის მთის მასივზე გაღრმავებული კარსტულ-სპელეოლოგიური და გეომორფოლოგიური კვლევების გაგრძელება.

5. საქართველოში მრავალსპექტრიანი სტიქიური გეოლოგიური პროცესებით ტერიტორიების დაზიანებადობა მასშტაბურია, განმეორადობა ხშირი, ეკონომიკური ზარალი დიდი და საშიშროების რისკი მაღალი.

პრაქტიკამ დაადასტურა,რომ საქართველოსთან მიმართებაში გეოლოგიური სტიქიით მაღალ მოწყვლად სივრცეებში, შეუძლებელია თავიდან იქნეს აცილებული ბუნებრივი კატასტროფების საშიშროების რისკი და მათი უარყოფითი შედეგები, უზრუნველყოფილი ქვეყნის მდგრადი განვითარება, შენარჩუნებული სასიცოცხლო სივრცე, მოსახლეობის დაცვა-ადაპტაცია და გეოლოგიური გარემოს გეოეკოლოგიური წონასწორობა, თუ ქვეყანა არ

იქნება მზად ბუნებრივი სტიქიის შემოტევისაგან თავდასაცავად. ამისათვის აუცილებელია სრულფასოვნად ვფლობდეთ გეოლოგიური სტიქიის რეალურ მდგომარეობას და მისგან მოსალოდნელ ნეგატიურ შედეგებს.

6. XX საუკუნის მეორე ნახევარში გეოლოგიურმა კატასტროფებმა ექსტრემალური ხასიათი შეიძინა, რაც გამოიხატა დიდ ეკონომიკურ ზარალში, ადამიანთა მსხვერპლში და მოსახლეობის მასობრივ გადაადგილებაში დაზარალებული ადგილებიდან. მოსახლეობის სტიქიისგან დასაცავად საჭირო გახდა გეოლოგიური კატასტროფების რეგიონულ დონეზე შესწავლა, მათი განმეორადობის იდენტიფიცირება და გამომწვევი ფაქტორების განვითარების ტენდენციისდადგენა.
იმ მრავალრიცხოვან ფაქტორთა შორის, რომელიც განაპირობებს გეოლოგიური კატასტროფების გამოწვევას, გამოიყოფა სამი მთავარი, ძირითადი ჯგუფი:

- სხვადასხვა გარემოში ქანების შემადგენლობა და მათი სენსიტიურობა გეოლოგიური პროცესებისადმი.
- რელიეფის ენერგეტიკული პოტენციალი.

ჰავის ზეგავლენა, რომელიც გულისხმობს არა კონკრეტული გეოგრაფიული სივრცის ამინდის მდგომარეობას, არამედ საშუალო წლიური მახასიათებლებიდან მკვეთრ გადახვევებს და ანომალიებს.

7. კვლევის მიზანია ივანე ჯავახიშვილის მიერ შედგენილი "საქართველოს ისტორიული რუკის" [1923] გეოგრაფიული სახელწოდებების აღნუსხვა-ინვენტარიზაცია, კლასიფიკაცია, ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნა და ტერიტორიული განაწილების ზოგადი თავისებურებების დადგენა. შეფასდა ივ. ჯავახიშვილის კარტოგრაფიული მემკვიდრეობა, დადგინდა გეოგრაფიული სახელწოდებების მრავალფეროვნება აღნიშნული რუკის მხიედვით, აგრეთვე შესატყვისობა თანამედროვე რუკის ლეგენდის შედგენის ზოგად ნორებთან.

8. სტატიაში წარმოდგენილია ინფორმაცია ტოპოგრაფიული რუკის მნიშვნელობის შესახებ სამხედრო საქმისათვის. განხილულია ახალ საკოორდინატო სისტემაში საქართველოს მთათაშორისი ბარის ტერიტორიისათვის 1:50,000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკების შედგენის ხერხებისა და მეთოდების მიმოხილვა.

II. 2. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნიკოლაიშვილი დ. მაჭავარიანი ლ.	Nikolaishvili D., Matchavariani L. **Impacts of climate change on Georgia's mountain ecosystems** (book chapter 10). Climate Change Impacts on High-Altitude Ecosystems	http://www.springer.com/life+sciences/ecology/book/978-3-319-12858-0	გვ. 245-275

ანოტაციები ქართულ ენაზე:

1. მონოგრაფიის ამ თავში განხილულია კლიმატის ცვლილების მიმართ საქართველოს ძირითადი აგროლანდშაფტური ზონის სივრცე-დროითი მოდელის ზოგიერთი მეთოდოლოგიური საკითხი. დასახული მიზნიდან გამომდინარე შემუშავდა კლიმატის ცვლილების მიმართ სივრცე-დროითი მოდელის ახალი მეთოდოლოგიური საფუძველი და საქართველოს ძირითადი აგროლანდშაფტური ზონის ლანდშაფტურ-ეთოლოგიური ინვენტარიზაცია.

კლიმატის ცვლილების გავლენას მრავალი კვლევა მიეძღვნა, თუმცა დღემდე არ არის ჩატარებული კვლევები, სადაც ასახული იქნება კლიმატის ცვლილების გავლენა საქართველოს სხვადასხვა ლანდშაფტზე. შესაბამისად არც სათანადო მეთოდოლოგიაა შემუშავებული. ამ საკითხებს მიეძღვნა ნაშრომი. ლანდშაფტური მიდგომა სწორედ ამ მოზაიკურობის დადგენისა და მიზეზების გამოვლენის შესაძლებლობას იძლევა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლანდშაფტური მიდგომის გამოყენება ისეთი ქვეყნისათვის, როგორიცაა საქართველო, ვინაიდან იგი ძლიერ ნაირგვაროვანი ბუნებრივი პირობებითა და ლანდშაფტური მრავალფეროვნებით ხასიათდება.

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ტრაპაიძე ვ., დვალაშვილი გ.	ВЕСТНИК Национального университета водного хозяйства и природопользования	ISS 2306-5478 ВЫПУСК 3(71). Бюллетень ВАК Украины.	177-181 с.

ანოტაციები ქართულ ენაზე:

1. მტკნარი წყლის რესურსები საქართველოს ერთ-ერთ ძირითად სიმდიდრეს წარმოადგენს. საქართველოს ტერიტორიის მთიანი ხასიათი, უხვი ატმოსფერული ნალექები, განსაკუთრებით შავი ზღვის აყზში განაპირობებენ იმას, რომ მის ტერიტორიაზე ერთი წლის განმავლობაში ფორმირებული მტკნარი წყლის ფენის საშუალო სიმაღლით საქართველოს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მსოფლიოში, ეს განპირობებულია მოსული წლიური ნალექების ფენით, რაც მოცულობაში 93,3 კმ3 შეადგენს. ამასთან ერთ კვადრატულ კილომეტრზე წლის განმავლობაში ფორმირებული საშუალო წყლის რაოდენობა ტერიტორიის მიხედვით არათანაბრად არის გადანაწილებული დასავლეთ საქართველოსთვის ის 1.34 მლნ მ3/კმ2 შეადგენს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოსთვის 0.37 მლნ მ3/კმ2, საშუალო წლიური ჯამური ჩამონადენი, რომელიც უშუალოდ საქართველოს ტერიტორიაზე ფორმირდება 57მ3 შეადგენს. მდინარეთა წყალუხვობა, ხეობათა ტიპები და კალაპოტების დიდი დახრილობა განაპირობებენ მდინარეთა საკმაოდ მაღალ ჰიდროენერგეტიკულ პოტენციალს. ქვეყნის საერთო ზედაპირული და ტრანზიტული ჩამონადენის ენერგია დაახლოებით 229 მლრდ კვტ. საათს, ხოლო შესაბამისი სიმძლავრე - 26 მლნ კვტ-ს შეადგენს. 1 კმ2-ზე ხვედრითი

ჰიდროენერგეტიკული რესურსების მახასიათებლით საქართველოს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რეგიონში.

ამასთან ერთად, უკანასკნელ ათწლეულებში მსოფლიო დადგა კლიმატის გლობალური ცვლილების წინაშე. კლიმატის ცვლილებების ტენდენციებისა დამათი ჩამონადენზე მათი შესაძლო ზეგავლენის კვლევა ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. აღნიშნული კვლევების საფუძველს ე.წ. კლიმატის სცენარები წარმოადგენენ, რომელთა საფუძველზე მიიღება ამა თუ იმ რეგიონის წყლის რესურსების ცვლილების სურათი. კვლევათა განსხვავებული შედეგების მიუხედავად მთის მდინარეთა აუზებისათვის.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნიკოლაიშვილი დ., ტრაპაიძე ვ., კალანდაძე ვ., მამუკაშვილი თ., შარაშენიძე მ.	კლიმატის ცვლილების კომპლექსური შეფასება საქართველოს ლანდშაფტების მაგალითზე. Journal of Environmental Biology	№. 36, სპეციალური გამოშვება, იანვარი	http://www.jeb.co.in/journal_issues/201501_jan15_supp/paper_07.pdf	გვ. 43-49
2	ნიკოლაიშვილი დ., დვალაშვილი ბ.	კავკასიის ლანდშაფტების ანთროპოგენური ცვლილებები, Earth Sciences, Special Issue	4(5-1)	http://www.sciencepublishinggroup.com/specialissue/specialissueinfo?specialissueid=161010&journalid=161	გვ. 54-59
3	ნიკოლაიშვილი დ., თოლორდავა რ., სართანი დ., ქუთათელაძე ლ.	საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გატარების პრობლემები მდ. ფსოუს ხეობაში, Earth Sciences, Special Issue	4(5-1)	http://www.sciencepublishinggroup.com/specialissue/specialissueinfo?specialissueid=161010&journalid=161	გვ. 68-72
4	ნიკოლაიშვილი დ., თოლორდავა რ.	სახელმწიფო საზღვრის გატარების ფიზიკურ-გეოგრაფიული ასპექტები (საქართველოს მაგალითზე)	საერთაშორისო სამეცნიერო ალმანახი „გლობალური სამყარო“, № 1, 2015	ნაციონალური უნივერსიტეტი „ოსტროგის აკადემია“, მართვის გლობალური სტრატეგიების ინსტიტუტი (უკრაინა)	იბეჭდება (2015)
5	მაჭავარიანი ლ., კალანდაძე ბ., ლაღიძე ლ., გიხელაშვილი ნ., სულხანიშვილი ნ., პაიჭაძე ნ., დვალაშვილი გ.	Soil Quality Changes in Response to their Pollution of Heavy Metals in Georgia	Journal of Environmental Biology	Triveni Enterprises IF: 0.88, Indexed in: Thomson Reuters	გვ. 85-91
6	დვალაშვილი გ., ტაბატაძე ს., ოდრაპიძვილი ნ.	Роль сейсмических явлений в формировании современного рельефа: когнитивные аспекты	КОГНИТИВНЫЕ ИССЛЕДОВАНИЯ НА СОВРЕМЕННОМ ЭТАПЕ. КИСЭ-2015.	Россия, Ростов-на-Дону. УДК 101.1 + 167 ББК 87в6 К 57	გვ. 85-91

7	თოლორდავა რ., გორდეზიანი თ., ლაოშვილი ზ., ნიკოლაიშვილი დ.	Особенности карто-графирования архео-логических и архитек-турных помятников, материалы Междуна-родная конференция «InterCarto/InterGIS21», «Устойчивое развитие территорий: карто-графо-геоинформа-ционное обеспечение»	№ 21	Г. Краснодар (Россия)	7

ანოტაციები ქართულ ენაზე:

1. ნაშრომის მთავარი მიზანია საქართველოს ლანდშაფტების სივრცე-დროითი მოდელის მეთოდოლოგიური საფუძვლის შემუშავება, რომელიც საშუალება გვაძლევს დადგინდეს სხვადასხვა ლანდშაფტში მიმდინარე ტენდენციები, როგორიცაა ჰუმიდურობა/არიდულობა, ბიოპროდუქტიულობის ზრდა-შემცირება და სხვ. საქართველოს ლანდშაფტთა კადასტრული მონაცემების, გის-ტექნოლოგიებისა და თემატური კარტოგრაფირების საფუძველზე ლამდშაფტში მიმდინარე ძირითადი ტენდენციები გამოვლინდა. კლიმატის ცვლილება ლანდშაფტებში რამდნეიმე მაჩვენებლით შეფასდა, როგორიცაა ტყიანობის, სასოფლო-სამეურნეო-სავარგულების, ფრაგმენტა-ციისა და მცენარეთა პროდუქტიულობის მიხედვით.

2. სტატიაში გაანალიზებულია კავკასიის ეკორეგიონის ტყის ლანდშაფტების ეკოლოგიური პოტენციალი. აქ ლანდშაფტთა 25 ტიპი, 62 ქვეტიპი და 205 გვარია წარმოდგენილი. განსაზღვრულია ამ ლანდშაფტების ფიტორესურსები, თანამედროვე მდგომარეობა და ტრანსფორმაციების რისკი კლიმატის ცვლილების ფონზე. ეკორეგიონის 1/3 ამ რისკის წინაშე დგას. განხილულია ურთიერთკავშირები ფიზიკურ-გეოგრაფიულ ფაქტორსა და ტყის რესურსებს შორის. კვლევა დაეფუძნა მრავალწლიან საველე კვლევებს, დარგობრივ-გეოგრაფიულ ლიტერატურაში არსებულ მონაცემებს. ყველა ეს მონაცემი დამუშავდა გის-ტექნოლოგიების მეშვეობით.

3. ნაშრომში განხილულია მდ. ფსოუს მონაკვეთზე სახელმწიფო საზღვრის გატარების პრობლემები რომლის გადაჭრა გართულებულია მრავალი გარემოების გამო – რთული გეოპოლიტიკური ვი-თარები, ისტორიული დოკუმენტებისა და ძველი კარტოგრაფიული წყაროების არასწორი ინტერპრე-ტაციის, არასწორი ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების გამო. ამ მხრივ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ძველი პოლიტიკურინსაზღვრების ადმინისტრაციულ სტატუსში გადაყვანა და სხვადასხვა დროის საბჭოთა ტოპოგრაფიულ რუკებზე განსხვავებულად გატარებული საზღვრის კონტურები. კვლევისას გამოყენებულია დიდძალი ისტორიული, კარტოგრაფიული, სტატისტიკური წყაროები, სამთავრობო განკარგულებები.
კვლევის შედეგად დადგინდა სახელმწიფო საზღვრის მდ. ფსოუს მონაკვეთის: 1) ხშირი ისტორიული ტრანსფორმაციები XIX-XX საუკუნეებში; 2) ამ ტარნსფრმაციების განსამზღვარებლი ძირითადი აფქტორები; 3) კარტოგრაფიულ წყაროებსა და სამთავრობო დადგენილებებს შორის შეუსაბამობა; 4) მდ. ფსოუს და კერძოდ, სოფ. აიბგის ტერიტორიული მიკუთვნებულლობის არაადეკვატური ასახვა XX საუკუნის სამეცნიერო და სტატისტიკურ წყაროებში.

5. ნიადაგი, რომელიც ბუნების ელემენტების ურთიერთმოქმედებით ყალიბდება, ლანდშაფტის ყველაზე ინფორმაციული შემადგენელია. ამიტომ, ყველა ის ანთროპოგენური და ბუნებრივი პროცესი რომლებსაც ადგილი აქვს კონკრეტულ ეკოსის ტემებში, ყველაზე აქტიურად სწორედ ნიადაგში აისახება. ნიადაგი, ამასთანავე, ბუნების ყველაზე სპეციფიკური და რთული კომპონენტია. მისი დაბინძურების შემთხვევაში, საწყისი ბალანსის აღდგენა პრაქტიკულად შეუძლებელია. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა არის გარემოს დაბინძურება მძიმე ლითონებით. კვლევის მთავარი მიზანი იყო მძიმე ლითონების შემადგენლობის, მიგრაციისა და დაგროვების შესწავლა საქართ ველოს სარწყავ ნიადაგებში, მცენარებში და ნაწილობრივ ბუნებრივ წყლებში; ასევე, დაბინ-ძურების შესაძლო წყაროებისა და მათი გავლენის დადგენა რეგიონის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე.

შესწავლილია სამთო-მომპოვებელ და გადამამუშავებელ საწარმოს მიმდებარე სარწყავ ნიადაგებში ტოქსიკური ელემენტების შედგენილობა. გამოვლენილია მძიმე ლითონების სხვადასხვა კონცენტრაცია. კვლევებმა აჩვენა, რომ ნახევარზე მეტი ტერიტორია სერიო ზულადაა დაბინძურებული სპილენძითა და თუთიით. ზოგიერთი ტერიტორია შეიძლება კატასტ როფულად დაბინძურებულად ჩაითვალოს. ადგილი აქვს ტექნოგენეზს, რომელიც ირიგაციის ზემოქმედებაზე მიუთითებს, ვინაიდან, ეს ტერიტორიები ინტენსიურად ირწყვება მდინარეებისა და არხების წყლებით რომლებიც ბინძურდება მომპოვებელი საწარმოდან გამომდინარე წყლით. ჩამდინარე წყალი გამოედინება საწარმოდან და შემდგომში სარწყავი სისტემის მეშვეობით ხვდება ნიადაგში. კვლევამ აჩვენა, რომ ძირი თადი დამაბინძურებელი მძიმე ლითონებია: სპილენძი, თუთია, მანგანუმი, რომლებიც აქტიურ უარყოფით გავლენას ახდენენ ნიადაგის თვისებებზე, მის შემადგენლობაზე და ნიადაგწარმოქმნელ პროცესებზე. ეს განსაკუთრებით კარგად აისახება ნიადაგების ჰიდროფიზიკური პოტენციალის გაუარესებაზე, ცვლის ნიადაგის pH-ს, ირღვევა დაბალანსებულიკორელაცია მყარ თხევად და გაზობრივ ფაზებს შორის. უკიდურესად დაბინძუ რებულ ნიადაგებში ადგილი აქვს შეცემენტების პროცესს და ნიადაგის მკვეთრად გაზრდილ სიმჭიდროვეს, გუარესებულ ფორიანობას და კრიტიკულად დაბალ წყალგამტარობას.

6. ძლიერი მიწისძვრების უმრავლესობა, როგორც წესი მატერიალურ ზარალთან ერთად იწვევს რელიეფის ფორმების მკვეთრ გარდაქმნას, ამგვარ მიწისძვრებს ბევრჯერ ჰქონია ადგილი საქართველოში. ასე მაგალითად რაჭის მიწისძვრა XIX საუკუნის ბოლოს, ჩხალთის, ამტყელის და სხვ. რომლებმაც გამოიწვიეს რელიეფის ფორმების შეცვლა: წარმოიქმნა ტბები, განვითარდა კლდეზვავი, ქვათაცვენა, ღვარცოფი და მოხდა დამეწყვრა.

ანალოგიურ მოვლენასთან გვქონდა საქმე საქართველოში (ამბროლაურის, ჯავის, ონის, საჩხერის და ჭიათურის რაიონები) 1991 წლის 29 აპრილს, როდესაც მოხდა ძლიერი, დამანგრეველი მიწისძვრა, მაგნიტუდა 6,9-7,2 M.

მიწისძვრის გავრცელების არეალის ფართობი 7800 კმ2-ია. აქ განლაგებულია 700-ზე მეტი სოფელი და სხვა დასახლებული პუნქტები. დაინგრა და დაზიანდა 46 ათასამდე სახლი, 1000-ზე მეტი საცხოვრებელი შენობა, აგრეთვე სამრეწველო და სასოფლო ობიექტები. უსახლკაროდ დარჩა 100 000 ადამიანი, დაიღუპა 100-ზე მეტი.

საქართველოს ტერიტორიის სეისმური აქტიურობის ძირითადი დამახასიათებელი ფაქტორებია:

– საქართველოს ტერიტორია შედის სეისმოტექტონიკურად აქტიურ ზონაში. მომხდარ მიწის-ძვრათა საშუალო მაჩვენებელი, შეადგენს საშუალოდ 1000 მიწისძვრას წელიწადში.

– სეისმოგენური ზონის მაღალი სიხშირე სეისმო-ტექტონიკურ აქტიურ რღვევებთანაა დაკავშირებული.

– ყველაზე მაღალი სეისმური აქტიურობა დამახასიათებელია ჯავახეთის მთიანეთისათვის, იგი რთულ ტექტონიკურ რეგიონს წარმოადგენს, ნეოგენურ-მეოთხეულ ვულკანიზმით. აქტიური კერებით ინტენსიური ნეოტექტონიკური მოძრაობით, გამოირჩევა კავკასიონის ქედი. დიდი და მცირე კავკასიონის აქტიურ ზონებს შორის განლაგებულია საქართველოს ბელტი, რომლისათვის დამახასიათებელია შედარებით დაბალი, თანაბარი სეისმური მოქმედება.

– საქართველოში დაფიქსირებული მიწისძვრების კერების უმრავლესობა (90%) განლაგებულია 30 კმ. სიღრმემდე და მიმართულია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. ჯავახეთის პლატოს მიწისძვრების კერების სიღრმე 5-10 კმ-ია. ხოლო კავკასიონის მიწისძვრის კერისა კი (15-20 კმ.).

– თანამედროვე სეისმოტექტონიკური რუკების ანალიზი გვიჩვენებს, რომ აქტიური რღვევებისა-თვის დამახასიათებელია სუბგანედური და სუბმერიდიანული მიმართულება.

ეპიცენტრალურ ზონაში მიწისძვრის შედეგად რელიეფში საკმოდ დიდი ცვლილებები მოხდა. წარ-მოიქმნა რელიეფის ახალი ფორმები და ბუნებაში სახეცვლილი ლანდშაფტი დატოვა. შემდგომი დეტალური დაკვირვებების ჩატარება ბევრ საინტერესო დასკვნის გაკეთების საშუალებას მოგვცემს.

7. სტატიაში წარმოდგენილია 2008 წლის ზაფხულში მდ. კოდორის ხეობაში ჩატარებული საველე ექსპედიის კვლევის შედეგები. ჩატარებულია ადგილობრივი ციხესიმაგრეებისა და ახლადაღმო-ჩენილი სხვა არქეოლოგიური ძეგლების მსხვილმასშტაბიანი ტოპოგრაფიული აგეგმვა. შედგენილ იქნა საკვლევი რაიონის დეტალური არქეოლოგიური შინაარსის რუკა. ამ კარტოგრაფიულ

ნაწარმოებში ასახულია ადგილების – ჩახარისა და ბოკერის არქეოლოგიური ძეგლების ფრაგმენტები. საველე კვლევის შედეგები ასახულია 1:500 ტოპოგრაფიულ გეგმებზე, ჩანართებად წარმოდგენილია 1:100 და 1:200 მასშტაბების არქეოლოგიური ჭრილები.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნიკოლაიშვილი დ. თოლორდავა რ	საქართველოს სახელმწიფო საზღვრის რეტროსპექტივა ალ. ჯავახიშვილის შრომების მიხედვით	22-23.X.2015, თბილისი, თსუ
2	ნიკოლაიშვილი დ., მაჭავარიანი ლ	საქართველოს ლანდშაფტების სენსიტიურობის შეფასება გეოლოგიურ-გეომროფოლოგიური ფაქტორების მიხედვით	5 ნოემბერი, 2015, თსუ, საერთაშორისო კონფერენცია
3	სამცხე-ჯავახეთის რეგიონის გეოეკოლოგიური პრობლემები	საქართველოს ლანდშაფტების სენსიტიურობის შეფასება გეოლოგიურ-გეომროფოლოგიური ფაქტორების მიხედვით	5 ნოემბერი, 2015, თსუ, საერთაშორისო კონფერენცია

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის 1930-იანი წლების რეტროსპექტიული სურათის ანალიზი ალ. ჯავახიშვილის კარტოგრაფიული ნაწარმოებების მიხედვით. კვლევის საფუძვლად გამოყენებულია მეცნიერის მიერ, ამ წლებში გამოცემული საქართველოს ორი ზოგადგეოგრაფიული რუკა: მასშტაბები: 1:400,000 (ჯავახიშვილი, ცხაკაია, 1931-1932) და 1:200,000 (ჯავახიშვილი, ცხაკაია, 1932). საქართველოს სოციალისტური საბჭოთა სასწავლო ფიზიკური რუკა. შემუშავებული კვლევის მიზნიდან გამომდინარე, გადაიჭრა რამდენიმე ამოცანა:

- აღნიშნული რუკებისა და სხვა წყაროების საფუძველზე, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ისტორიული ტრანსფორმაციების დადგენა;
- მიღებული შედეგების შედარება სხვადასხვა წყაროებთან და თანამედროვე მდგომარეობასთან.

კვლევა უმთავრესად დაეფუძნა ალ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილ რუკებს, თუმცა ურთიერთშედარებისა და არსებული ვითარების უკეთ წარმოჩენის მიზნით, ასევე გაანალიზდა და შეფასდა სხვადასხვა პერიოდის კარტოგრაფიული წყაროები (XIX საუკუნის „ვერსიანი“, საბჭოთა ტოპოგრაფიული და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული რუკები). კვლევისათვის ასევე გამოყენებულია საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის, ნორმატიული, გეოგრაფიული, ისტორიული, საარქივო მასალები, ალ. ჯავახიშვილის გამოუქვეყნებელი ჩანაწერები.

2. საქართველოს ლანდშაფტების სენსიტიუტობა შეფასდა რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით, როგორიცაა ზედაპირის დახრილობა და ექსპოზიცია, მიგრაციის რეჟიმი.

გამოიყო ის ლანდშაფტები, რომლებიც განსაკუთრებით სენსიტიურია ამა თუ იმ ფაქტორის მიხედვით, დადგინდა მათი ფართობი.

3. ლანდშაფტური დაგეგმარების უმთავრესი ამოცანაა უზრუნველყოს მდგრადი ბუნებათსარგებლობა და შეინარჩუნოს ლანდშაფტთა ძირითადი ფუნქციები, გამოავლინოს ის საფრთხეები და ტენდენციები, რომლებიც ანთროპოგენური ზემოქმედების პირობებში წარმოიქმნება. ლანდშაფტური დაგეგმარება შესაბამისობაში უნდა იყოს ეკოლოგიურად მდგრად განვითარებასთან.
სამცხე-ჯავახეთი მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებითა და რესურსებით ხასიათდება (ქარისა და მზის ენერგია, ბუნებრივი საკვები სავარგულები, სახნავი მიწები, მაღალ-რეკრეაციული ღირებულების ეკოსისტემები, ხელუხლებელი ლანდშაფტები, დიდდებიტიანი მინერალური წყაროები, სხვადასხვა სახის სასარგებლო წიაღისეული და სხვ.). თუმცა ბუნებრივი რესურსების არარაციონალური გამოყენება აფერხებს არამარტო რეგიონის ეკონომიკურ წინსვლას. წარმოჩინებულია რეგიონის გეოეკოლოგიური პრობლემები, მისი გამომწვევი მიზეზები და გამოიყო განსაკუთრებით სახეცვლილი არეალები.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Tolordava r., gordeziani T., laoSvili z., nikolaiSvili d.	Особенности картографирования археологических и архитектурных помятников	2015, г. Сочи, г. Краснодар (Россия); г. Сува (Фиджи)

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე:

მოხსენებაში წარმოდგენილია 2008 წლის ზაფხულში მდ. კოდორის ხეობაში ჩატარებული საველე ექსპედიის კვლევის შედეგები. ჩატარებულია ადგილობრივი ციხესიმაგრეებისა და ახლადაღმოჩენილი სხვა არქეოლოგიური ძეგლების მსხვილმასშტაბიანი ტოპოგრაფიული აგეგმვები. წარმოდგენილ იქნა საკვლევი რაიონის დეტალური არქეოლოგიური შინაარსის რუკა. ამ კარტოგრაფიულ ნაწარმოებში ასახულია ადგილების – ჩახარისა და ბოკერის არქეოლოგიური ძეგლების ფრაგმენტები. საველე კვლევის შედეგები ასახულია 1:500 ტოპოგრაფიულ გეგმებზე, ჩანართებად წარმოდგენილია 1:100 და 1:200 მასშტაბების არქეოლოგიური ჭრილები.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	„ენდოგენური წარმოშობის ბუნების ძეგლების კვლევა-პოპულარიზაცია მდინარე რიონის აუზში“ /15/2015	გიორგი დვალაშვილი	მერი გუგეშაშვილი, ერეკლე ჩახვაშვილი, თამარ ფილაური	თსუ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

2	მესტიის მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური პრობლემები	მ. ელიზბარაშვილი	კ. ბილაშვილი, თ. გორდეზიანი, რ. მაისურაძე, თ. ხარძიანი, სტუდენტთა ჯგუფი	შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსება (ადგილობრივი გრანტი)

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე):

მდინარე რიონის აუზი გამორჩეულია ენდოგენური წარმოშობის რელიეფის ფორმების რაოდენობითა და მათი მრავალფეროვნებით. თუმცა უმრავლესობის შესახებ საზოგადოება არ ფლობს შესაბამის ინფორმაცია. იმის გამო, რომ მათი მნიშვნელობა ხშირად უცნობია, ეს ობიექტები შეუგნებლად ზიანდება ან სულ ნადგურდება. ბუნების ძეგლების შესწავლა მათი პოპულარიზაციის მიზნით მნიშვნელოვანი საკითხია ჩვენს ქვეყანაში. აღნიშნული აუზი იმდენად მდიდარია ენდოგენური წარმოშობის სხვადასხვა ფორმებით, რომ შეიძლება ჯერ უცნობი ობიექტების აღმოჩენა-შესწავლა, რომელთა შესახებ მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობისთვისაა ცნობილი.

პროექტის ფარგლებში მოხდა ენდოგენური წარმოშობის რელიეფის ფორმების მოძიება და მათი ადგილზე კვლევა. ჩატარდა ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრები, რათა მათთვის ცნობილი გახდეს მათ მუნიციპალიტეტში შემავალი ობიექტების მნიშვნელობა და გამოვლინდა ასევე უცნობი ადგილები, რომელთა კვლევა დაიგეგმება შემდგომში. ზოგიერთი ბუნებრივი ღირსშანიშნავი ძეგლი არის ადგილობრივი თუ საერთაშორისო მნიშვნელობის ობიექტი, თუმცა ეს ძეგლები მუდმივად განიცდიან ანთროპოგენიზაციას და ხშირად ადამიანის უხეში ჩარევის შედეგად კარგავენ ბუნებრივ სილამაზეს. ამისათვის აუცილებელია ასეთი მნიშვნელოვანი ბუნებრივი ფენომენები ატარებდნენ ბუნების ძეგლის სტატუსს.

IV. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	სასწავლო კურსის - Sustainable Mountain Development and Resource Governance - მომზადება	ნ. ელიზბარაშვილი	ჰ. მესენი (შვეიცარია), თ. გორდეზიანი	უცხოური გრანტი (ევროკავშირი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

ბუნებათსარგებლობის გეოგრაფიის კათედრა

❖ **სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი:** პროფესორი ზურაბ სეფერთელაძე

❖ **სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:** ასოც. პროფ. ლ. ლაღიძე, ასისტენტ პროფ. ეთერ დავითაია, ასისტენტ პროფ. თამარ ალექსიძე

III.1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

(ეხება სამენიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

#	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

II. 2.

#	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

II. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

#	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	საერთაშორისო კონფერენცია „გამოყენებითი ეკოლოგია: პრობლემები, სიახლეები", ICAE-2015. დედამიწისშემსწავლელი მეცნიერებები: ბუნებათსარგებლობა და მდგრადი განვითარება; გარემოს დაცვის ტექნოლოგიები; დაბინძურება და აღდგენა	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (# CF/75/9-280/14)	ლ. მაჭავარიანი	ლ. ლაღიძე დ. ნიკოლაიშვილი ნ. პაიჭაძე ზ. გულაშვილი
დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

შოთა რუსთველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით 2015 წლის 7-10 მაისს ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია "გამოყენებითი ეკოლოგია: პრობლემები, სიახლეები" ICAE-2015 (პროექტი: CF/75/9-280/14). კონფერენციას მასპინძლობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; კონფერენციის თავმჯდომარე – პროფესორი ლია მაჭავარიანი. კონფერენციის მიზანი იყო გამოყენებითი ეკოლოგიის პრობლემებზე მომუშავე სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტთა სამეცნიერო მიღწევების გაცნობა, ინფორმაციის ურთიერთგაცვლა და გამოცდილების გაზიარება ადგილობრივ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე. შეიქმნა ორენოვანი (ინგლისურ-ქართული) საკონფერენციო საიტი: http://icae-2015.tsu.ge/

კონფერენციაზე დარეგისტრირდა 145 მონაწილე 18 ქვეყნიდან (აზერბაიჯანი, ბულგარეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ეგვიპტე, თურქეთი, ისრაელი, იტალია, კვიპროსი, მალაიზია, მოლდოვა, ნიდერლანდები, პაკისტანი, რუსეთი, საქართველო, სომხეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი). კონფერენციაზე მონაწილეობის მსურველთა საერთო რაოდენობამ, თანამომხსენებლების (თანაავტორების) ჩათვლით 323-ს მიაღწია. წარდგენილი თეზისების რაოდენობა 150-ს აღემატებოდა. კონფერენციის სამუშაო ენა – ინგლისური.

კონფერენციის სამეცნიერო პროგრამა და სტრუქტურა: კონფერენციის გახსნა; ფოტო-გამოფენა *„საქართველოს ბუნება: გუშინ და დღეს“*; პლენარული სდომა; პარალელურ რეჟიმში მიმდინარე 17 სექცია. სექციური სხდომები ჩატარდა როგორც თბილისში (7 მაისი – თსუ I კორპ., აუდიტ. #115, #101, #214), ისე ბათუმში (9 მაისი – სამტუმროები "ერა-პალასი", "ჩაო"; 10 მაისი – ბათუმის ბოტანიკური ბაღი): http://icae-2015.tsu.ge/mtavari.php?lan=engl&cat=aEfKD

კონფერენციაზე წარდგენილი მოხსენებები დაიბეჭდა ორგვარი პუბლიკაციის სახით:

- 61 სტატია – კონფერენციის შრომებში – PROCEEDINGS, ICAE-2015 *International Conference "Applied Ecology: Problems, Innovations"* (ISBN 978-9941-0-7644-2) http://icae-2015.tsu.ge/
- შერჩეული მოხსენებები (28 სტატია) – ამერიკული ჟურნალის სპეციალურ გამოშვებაში – *„American Journal of Environmental Protection" Special Issue „Applied Ecology: Problems, Innovations"* (გამომცემლობა: *Science Publishing Group).* AJEP-ის სპეციალური გამოშვების მთავარი რედაქტორი – პროფ. ლია მაჭავარიანი: http://www.sciencepublishinggroup.com/specialissue/163003#.Vf_YGMh1sM4

II. 4.

#	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ტერიტორიული დაგეგმარებისათვის სამცხე–ჯავახეთის ლანდშაფტურ-ეკოლოგიური შეფასება გის-ანალიზის მეშვეობით დედამიწისშემსწავლელი მეცნიერებები	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (AR/220/9-120/14)	დ. ნიკოლაიშვილი	ლ. ლაღიძე ვ. ტრაპაიძე ბ.კალანდაძე რ. მაღლაკელიძე ზ. ლაოშვილი
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

პროექტის III და IV ტრანშის ფარგლებში ძირითაი თეორიული და პრაქტიკული შედეგებია:

- შეიქმნა სამცხე-ჯავახეთის ლანდშაფტური რუკა 1:50,000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკის საფუძველზე, რისთვისაც ასევე გამოყენებულია სხვადასხვა სამეცნიერო, კარტოგრაფიული, სტატისტიკური, 2014-2015 წლებში პროექტის ფარგლებში ჩატარებული ექსპედიციების საველე მასალები. რუკაზე დატანილია ბტკ-ების ვერტიკალური სტრუქტურის ტიპები, რაც დაეფუძნა პროფ. ნ. ბერუჩაშვილის მიერ შემუშავებულ სივრცე-დროითი ანალიზისა და სინთეზის კონცეფციას. რუკა ელექტრონულ ფორმატშია;
- განხორციელდა რეგიონის ბუნების კომპონენტებისა და სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებელთა სივრცე-დროითი ანალიზი. შექმნილია თემატურ რუკათა სერია;
- დაწყებულია რეგიონის ლანდშაფტთა კომპიუტერული მოდელის შექმნა და შექმნილია გის-ის მონაცემთა ბაზა;
- 2015 წელს ჩატარდა ექსპედიცია ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში, რის შედეგადაც აღიწერა 60 ლანდშაფტური ნაკვეთი და განხორციელდა მოსახლეობის გამოკითხვა ტრადიციული და თანამედროვე ბუნებათსარგებლობით საკითხებზე.

ამჟამად მიმდინარეობს პროექტის დამამთავრებელ IV ტრანშზე მუშაობა
(პროექტის დასრულება: 4.04.2016)

IV. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

#	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები (ქართულ ენაზე)				

სახელმძღვანელოები

#	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები (ქართულ ენაზე)				

კრებულები

#	ავტორი / ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ზ. სეფერთელაძე, ე. დავითაია	ალ. ჯავახიშვილი საქართველოს ფიზიკური გეოგრაფიისა და ლანდშაფტმცოდნეობისსათა ვეებთან	გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები	თბილისი, თსუ
ანოტაციები (ქართულ ენაზე) 1. სტატიაში განხილულია აკად. ალექსანდრე ჯავახიშვილის უდიდესი ღვაწლი საქართველოში გეოგრაფიული მეცნიერების განვითარების საქმეში. ალ.ჯავახიშვილის ნაყოფიერი სამეცნიერო–კვლევითი და პედაგოგიური მოღვაწეობა სანიმუშოდ არის შერწყმული, მის მნიშვნელოვან				

ორგანიზაციულ და კულტურულ–საგანმანათლებლო მუშაობასთან. ალ. ჯავახიშვილის ნაშრომები გეომორფოლოგიისა და ანთროპოლოგიის პრობლემებთან ერთად, ეხება საქართველოს ფიზიკურ და ეკონომიკურ–გეოგრაფიულ – კომპლექსურ საკითხებს, გეოგრაფიული მეცნიერების სტრუქტურას და მის კავშირებს საბუნებისმეტყველო მეცნიერების დარგებთან. იგი, ჯერ კიდევ საუკუნის წინ, ზუსტად განსაზღვრავს გეოგრაფიის ადგილს მეცნიერებათა სისტემაში, მიმოიხილავს თანამედროვე გეოგრაფიულ პრობლემებს და აკეთებს სამომავლო პროგნოზებს.

სტატიები

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის / კრებულის დასახელება	ჟურნალის / კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

II. 2. პუბლიკაციები:

ა) უცხოეთში

მონოგრაფიები

#	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები (ქართულ ენაზე)				

სახელმძღვანელოები

#	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები (ქართულ ენაზე)				

კრებულები

#	ავტორი / ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Matchavariani L. Lagidze L. Paichadze N.	Intensity, Distribution & Role of Profile-forming Processes in Pedogenesis of Georgia	Proceedings of the 15th International Multidisciplinary Scientific Geo-Conference SGEM2015 “Water Resources. Forest, Marine & Ocean Ecosystems” ISBN: 978-619-7105-37-7 / ISSN: 1314-2704, DOI: 10.5593/sgem 2015B32, Albena, Bulgaria, 2015, vol. II	199-207
2	Tsivtsivadze N. Khatiashvili E. Matchavariani L. Lagidze L. Motsonelidze N.	About the Determination of Chlorine Dose for Drinking Water Disinfection	Proceedings of the 15th International Multidisciplinary Scientific Geo-Conference SGEM2015 „Ecology, Economics, Education & Legislation” ISBN: 978-619-7105-39-1 / ISSN: 1314-	11-18

			2704, DOI: 10.5593/sgem2015 B51, 2015, vol. I	
3	Tsivtsivadze N. Khatiashvili E. Askurava Z. Matchavariani L. Lagidze L. Motsonelidze N. Ivanov G. Paichadze N. Gulashvili Z.	Measures of Drinking Water Supply Reservoirs Ecological Problems Solution.	Proceedings of International Conference “Applied Ecology: Problems, Innovations” ICAE-2015. ISBN 978-9941-0-7644-2, Tbilisi-Batumi, 2015	288-291

ანოტაციები (ქართულ ენაზე)

1. საქართველოს ნიადაგების ძირითადი გეოგრაფიული პარამეტრების გამოვლენისას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ნიადაგწარმოქმნელი პროცესების (ჰუმიფიკაცია, გალეება, გარკინიანება, ლესივირება, გათიხება, გაკარბონატება) მიკრომორფოლოგიურ დიაგნოსტირებას. თითოეული გენეტიკური ტიპისათვის გამოვლენილია ყველაზე დამახასიათებელ პროცესთა ჯგუფები: შავმიწა, ყავისფერ და მთელოს ყავისფერ ნიადაგებში გავრცელებული პროცესებია – ჰუმიფიკაცია-გალეება-გაკარბონატება; რუხ-ყავისფერ, მდელოს რუხ-ყავისფერ და დამლაშებულ (ბიც, ბიცოზ) ნიადაგებში – გაკარბონატება გალეებისა და ლესივაჟის მონაწილეობით; ყვითელმიწა, სუბტროპიკულ ეწერ და ეწერ-ლებიან ნიადაგებში – ლესივაჟი-გალეება-გარკინიანება; წითელმიწა და ალუვიურ ნიადაგებში – ლესივაჟი-გარკინიანება; მთის შავმიწებში ჰუმიფიკაცია-გათიხება; ყომრალებში – გათიხება გარკინიანებისა და ლესივაჟის მონაწილეობით; მთა-მდელოს ნიადაგებში – ლესივაჟი, ნაწილეობრივ გალეება. შექმნილია კარტოგრაფიული მასალა, რომელიც ასახავს პროფილისმაფორმირებელი პროცესების გავრცელებასა და ინტენსურობას საქართველოს ნიადაგებში.

2. ცნობილია, რომ წყალი დიდ გავლენას ახდენს მოსახლეობის სიცოხლის უნარიანობაზე, ამიტომ მოწოდებული წყლის რაოდენობისა და ხარისხის პრობლემა დიდ როლს ასრულებს ადამიანის ჯანმრთელობაზე. სამწუხაროდ, საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი იძულებულია ისარგებლოს წყლით, რომელიც არ შეესაბამება სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს. სასმელი წყლის დიდი ნაწილი დასახლებულ პუნტებში გამოედინება წყალსაცავებიდან, რომლებიც ივსება მდინარეებიდან, ან ტბებიდან, რომლებიც წვიმის წყლის, თოვლის ან მყივნარის მდნარი წყლის შემკრებებს წარმოადგენენ. ისინი ძირითადად დაბინძურებულია რამდენიმე ქიმიური და ორგანული ნივთიერებით, სხვადასხვა ნბაქტერიითა და მიკროორგანიზმით, რაც ნაწლავების დაავადებებს იწვევს. ამდენად, აქტუალური გახდა პრობლემა, რომელიც უკავშირდება საკითხს, თუ როგორ უნდა შემცირდეს წყლის დაბინძურება და თავიდან იქნას აცილებული ქლორირებული სასმელი წყლის მავნე ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე. ამ მიზნით ჩატარებული სამუშაო წარმოადგენს ქლორის ოპტიმალური დოზის განსაზღვრის მცდელობას სასმელი წყლის პათოგენური ბაქტერიებისგან დეზინფექციის წყალმომმარაგებელ რეზერვუარებში, მაშინ როდესაც დამაბინძურებელი ორგანული ნივთიერება არსებობს წყალსაცავში.

3. სასმელი და რეკრეაციული წყლის ხარისხი წარმოადგენს წყალმომარაგებითი და გარემოს დაცვითი ორგანიზაციების რთულ და კომპლექსურ ამოცანას. დღევანდელ მსოფლიოში ეს პრობლემა გასცდა კერძო ინტერესების ჩარჩოებს, რადგან ის ეხება მოსახლეობის ყოველდღიურ მოთხოვნილებას და მისი ჯანმრთელობის დაცვას, ისევე როგორც ქვეყნების უმნიშვნელოვანეს საკითხს უსაფრთხო და მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის. საქართველოში პრობლემის აქტუალობა განპირობებულია უკანასკნელ ათწლეულებში გაურკვეველი წარმოშობის

ინფექციური დაავადებების სიხშირით, ბავშთა სიკვდილიანობით, სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირებით და სხვ. წყალსაცავების ეკოლოგიური მდგომარეობისა და წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ქვეყანაში გამოყენებული წყლის დეზინფექციის მეთოდს არც ექიმები და მეცნიერები, არც ჯანდაცვის ორგანოები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ. ნაშრომში მოტანილია წყლისმომარაგების მთავარი რეზერვუარის, ე.წ. „თბილისის ზღვის“ ეკოლოგიური მდგომარეობის კვლევის შედეგები. გამსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სხვადასხვა სახის წყალმცენარეების არსებობას წყალსაცავში, რომლებიც აბინძურებენ სასმელ წყალს და განაპირობებენ ორგანოლეპტიკური სახის ცვლილებებს ევტროფიკაციის პროცესში. ამ უკანასკნელის ნეგატიური ზემოქმედების გაუვნებელყოფისათვის შეთავაზებულია რეკომენდაციები – შესაბამისი მეთოდები და ტექნიკური საშუალებები.

სტატიები

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის / კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Alpenidze M., Seperteladze Z. Davitaia E. Gaprindashvili G. Aleksidze T.	Natural-Geographical Zoning and Geo-Ecologiacal Problems of Georgia's Black Sea Coast	American Journal of Environmental Protection. Special Issue: „Applied Ecology: Problems, Inno-vations“, vol. 4, (3-1).	Science Publishing Group	9
2	Seperteladze S. Davitaia E. Memarne G. Lamparadze Sh. Gaprindashvili G. Aleksidze T. Gabaidze I.	Agro–Landscape zoning of West Georgia for revealing of optimal regions of tangerine – Tiakhara Unshiu	Indian Journal of Applied Research. Vol.5. Issue: 2	IJAR – Indian Reaseach Paper	9
3	Seperteladze Z. Davitaia E. Lamparadze Sh. Memarne G. Gaprindashvili G. Aleksidze T.	Agro-Landscape Zoning of West Georgia for Spreading New Varieties of Tangerine in Order to Reveal Optimal Natural Conditions	International Journal of Geosciences, 6	Scientific Research Publishing USA	14
4	ლიზბარასჰვილი. შპერტელადზე ძ. ლიზბარასჰვილი ღ.	Basic characteristics of stability of Mountain Landscapes of Georgia.	Conference Proceeding: Geopolitics, History, and International Relations. 7(1)	Addleton Academic Publishers, New York, USA.	5
5	Seperteladze Z. Davitaia E. Memarne G.	Assessment of Agri-Resource Potential of West Georgia and	Modern Problems of Geography and	American Journal of Environmental	7

	Khalvashi N. Gaprindashvili G	Landscape Zoning for Dissemination Actinidia	Anthropology. vol. 4., Issue 5-1	Protection. Earth Sciences.	
6	Davitaia E. Zeperteladze Z. Alexsidze T.	Natural Environment Zoning of West Georgia for Identifying the Perspective Regions of Actinidia Ghinensis Planch Culture Spreading	American Journal of Environmental Protection. Modern Problems of Geography and Anthropology. vol. 4., Issue 5-1	Earth Sciences	4
7	Matchavariani L. Kalandadze B. Lagidze L. Gokhelashvili N. Sulkhanishvili N. Paichadze N.	Soil Quality Changes in Response to their Pollution of Heavy Metals in Georgia	Journal of Environmental Biology, Special Issue, 2015, vol. 36	Triveni Enterprises IF: 0.88 Indexed in: Thomson Reuters	85-90
8	Lagidze L. Matchavariani L. Tsivtsivadze N. Paichadze N. Motsonelidze N.	Medical Aspects of Atmosphere Pollution	Journal of Environmental Biology, Special Issue, 2015, vol. 36	Triveni Enterprises IF: 0.88 Indexed in: Thomson Reuters	101-106
9	Basilashvili Ts. Matchavariani L. Lagidze L.	Desertification Risk in Kakheti Region, East Georgia	Journal of Environmental Biology, Special Issue, 2015, vol. 36	Triveni Enterprises IF: 0.88 Indexed in: Thomson Reuters	33-36
10	Lagidze L, Trapaidze V, Kalandadze B.	Impact of the relief on the territorial distribution of the precipitations on the example of Samtskhe-Javakheti region	J. Earth Sciences. Special Issue "Modern Problems of Geography and Anthropology", 2015, vol. 4, #5-1	Science Publishing Group	91-98
11	Kereselidze D. Matchavariani L. Trapaidze V. Lagidze L. Svanadze D. Bregvadze G. Gulashvili Z.	Quantitative Assessment of Permissible Loads on Georgia's Soil	American Journal of Environmental Protection. Special Issue: „Applied Ecology: Problems, Innovations", 2015, vol. 4, #3-1	Science Publishing Group	29-33
12	Lagidze L. Matchavariani L. Kereselidze D. Tsivtsivadze N. Paichadze N.	The Influence of Meteorological Conditions on Atmospheric Pollution in Georgia	American Journal of Environmental Protection. Special Issue „Applied Ecology: Problems, Innovations", 2015, vol. 4, #3-1	Science Publishing Group	67-71
13	Tsivtsivadze N.	Modern Conceptual	J. Earth Sciences.	Science	46-53

	Matchavariani L. Lagidze L. Motsonelidze N. Ivanov G. Paichadze N.	& Technological Approaches to the Georgia Black Sea Coastline Protection	Special Issue "Modern Problems of Geography and Anthropology", 2015, vol. 4, #5-1	Publishing Group	
14	Kalandadze B. Trapaidze V, Lagidze L, Laoshvili Z, Kalandadze I.	Role of Irrigation Farming in the Percpective Development of Agriculture in Samtshe Regione	J. Earth Sciences. Special Issue "Modern Problems of Geography and Anthropology", 2015, vol. 4, #5-1	Science Publishing Group	13-18
15	Kereselidze D. Matchavariani L. Trapaidze V. Lagidze L., et.al.	Evaluation & Management of the Risk of Flooding River Bank	Engineering Geology for Society & Territory, 2015, vol.3: River Basin, Reservoir Sedimentation & Water Recourses	Springer International Publishing Switzerland	463-469

ანოტაციები (ქართულ ენაზე)

1. სტატიაში განხილულია საქართველოს შავიზღვისპირეთის ბუნებრივ–გეოგრაფიული ზონირება და გეოეკოლოგიური პრობლემები. ნაშრომში აქცენტი კეთდება ანთროპოგენურ წნეხზე, რამაც დაარღვია ბუნებრივი წონასწორობა სისტემისა ადამიანი – ბუნება–წარმოება. ყოველივე ამან დღის წესრიგში დააყენა საკითხი სანაპირო ზონის ლანდშაფტების აღდგენისა და გარემოს დაცვის აუცილებლობისა. შავი ზღვის მთელ პერიმეტრზე ადამიანის არაგონივრული ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილი ნეგატიური შედეგები უარყოფით ზეგავლენას ახდენენ ტურისტულ–რეკრეაციულ ინდუსტრიაზე, რომელიც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგად არის მიჩნეული. ამდენად, სტატიის აქტუალობა და უაღრესად დიდი მნიშვნელობა ეჭვს გარეშეა.

2. შემუშავებულია ტერიტორიის აგრორესურსული პოტენციალის შეფასების მეთოდიკა და დადგენილია დასავლეთ საქართველოში მანდარინის ახალი ჯიშის – ტიახარა უნშიუს კულტურის გავრცელებისათვის აგროკლიმატური მახასიათებლების სივრცითი განაწილების კანონზომიერებანი (ჰიფსომეტრული საფეხურები და ლანდშაფტთა ტიპები). მრავალრიცხოვან მონაცემთა ბაზის შექმნისა და დამუშავების საფუძველზე, გის–ტექნოლოგიის გამოყენებით. ჩატარებულია მსხვილმასშტაბიანი ლანდშაფტური ზონირება.

3. სტატიაში განხილულია დასავლეთ საქართველოს აგრო–ლანდშაფტური ზონირება მანდარინის ახალი ჯიშების გავრცელების ოპტიმალური ბუნებრივი პირობების მქონე რეგიონების გამოვლენის მიზნით. ავტორთა ჯგუფის მიერ დამუშავებულია მრავალფაქტორული მეთოდი (მიდგომა), კერძოდ: ანალიზური, სინთეზური, მოდელირების, გეოსაინფორმაციო და სხვ. ცალკეული რეგიონების მიხედვით მოპოვებული აგროკლიმატური მახასიათებლების შეფასება–ანალიზის საფუძველზე გამოვყავით ყველაზე ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების მქონე რეგიონები და მოვახდინეთ აგროლანდშფტური რანჟირება აჭარის, გურიის, სამეგრელოს და აფხაზეთის რეგიონებში გამოიყო სამი ზონა, ხოლო იმერეთის რეგიონში ორი.

4. სტატიაში განხილულია საქართველოს მთიანი რეგიონების ბუნების თავისებურებანი და გარემოს მდგრადი განვითარების პრობლემა, რაც დაკავშირებულია მთიანი რეგიონების ბუნებრივი რესურსების ათვისებასთან და სოციალურ–ეკონომიკურ განვითარებასთან. ერთნაირი ანთროპოგენური დატვირთვის პირობებში ბუნების სტიქიური პროცესების განვითარების მასშტაბები გაცილებით უფრო სავალალოა მთებში, ვიდრე ბარში. არადა ბარის ლანდშაფტების განვითარება, თავის მხრივ დამოკიდებულია მთიანი რეგიონების ეკოსისტემებზე. აქედან გამომდინარე, მთიანი რეგიონების ათვისება მოითხოვს სათუთ, ფაქიზ მიდგომას.

5. ტერიტორიის აგრორესურსულ შეფასებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ კულტურის რაციონალურად განაშენიანებისა და მისი პროდუქტულობის (მოსავლიანობის) ამაღლების პოტენციურ შესაძლებლობათა გამოვლენაში. ეს უკანასკნელი კი, მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესი ბუნებრივი, ფიზიკურ-გეოგრაფიული ფაქტორია, რომელიც თავის მხრივ, მრავალკრიტერიუმიანი და მრავალგანზომილებიანია. ამ რთული ამოცანის გადაწყვეტის ოპტიმალურ გზად მივიჩნიეთ მათემატიკური მეთოდის გამოყენება, რომელიც შესაძლებლობას იძლევა გეოგრაფიული მიდგომის სრულყოფისა და ამ თვალსაზრისით, ტერიტორიის შედარებით ობიექტური, კომპლექსური შეფასებისა. ასევე, ამ მეთოდის გამოყენება ხელს უწყობს რიცხვითი მნიშვნელობებით მკვეთრად განსხვავებული დიაპაზონისა და სხვადასხვა განზომილების მქონე ადგილების შერჩევა-შეფასებას. მათემატიკური მეთოდის გამოყენებით ამ ნაშრომში განხილულია დასავლეთ საქართველოში, ბოლო დროს შემოტანილ კივის კულტურის გავრცელებისა და მაღალ მოსავლიანობის უზრუნველსაყოფად, ოპტიმალური ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების მქონე ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსებისა და რეგიონების გამოვლენისა და შეფასების საკითხები.

6. ავტორთა მიერ ამ სტატიაში კვლევის მათემატიკური მეთოდის გამოყენებით შემუშავდა ტერიტორიული ერთეულების აგრორესურსული პოტენციალის შეფასების მეოდიკა, რომელიც ემყარება ეტალონ–ობიექტამდე ფაქტორთა პრიორიტეტულობის კოეფიციენტით შეწონილი მანძილების გაანგარიშებას. დადგენილ იქნა, დასავლეთ საქართველოში აქტინიდიის (კივის) კულტურის გავრცელებისათვის აგრორესურსული პოტენციალის ტერიტორიული განაწილების კანონზომიერებანი, გამოვლენილ იქნა განსხვავებული პოტენციალის მქონე ჰიფსომეტრიული ზონები, ლანდშაფტური ტიპები და რეგიონები.

7. ნიადაგი, რომელიც ბუნების ელემენტების ურთიერთმოქმედებით ყალიბდება, ლანდშაფტის ყველაზე ინფორმაციული შემადგენელია. ამიტომ, ყველა ის ანთროპოგენური და ბუნებრივი პროცესი, რომლებსაც ადგილი აქვს კონკრეტულ ეკოსისტემებში, ყველაზე აქტიურად სწორედ ნიადაგში აისახება. ნიადაგი, ამასთანავე, ბუნების ყველაზე სპეციფიკური და რთული კომპონენტია. მისი დაბინძურების შემთხვევაში, საწყისი ბალანსის აღდგენა პრაქტიკულად შეუძლებელია. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა არის გარემოს დაბინძურება მძიმე ლითონებით. კვლევის მთავარი მიზანი იყო მძიმე ლითონების შემადგენლობის, მიგრაციისა და დაგროვების შესწავლა საქართველოს სარწყავ ნიადაგებში, მცენარებში და ნაწილობრივ ბუნებრივ წყლებში; ასევე, დაბინძურების შესაძლო წყაროებისა და მათი გავლენის დადგენა რეგიონის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე. შესწავლილია სამთო-მომპოვებელ და გადამამუშავებელ საწარმოს მიმდებარე სარწყავ ნიადაგებში ტოქსიკური ელემენტების შედგენილობა. გამოვლენილია მძიმე ლითონების სხვადასხვა კონცენტრაცია. კვლევებმა აჩვენა, რომ ნახევარზე მეტი ტერიტორია სერიოზულადაა დაბინძურებული სპილენძითა და თუთიით. ზოგიერთი ტერიტორია შეიძლება კატასტროფულად დაბინძურებულად ჩაითვალოს. ადგილი აქვს ტექნოგენეზს, რომელიც ირიგაციის ზემოქმედებაზე მიუთითებს, ვინაიდან, ეს ტერიტორიები ინტენსიურად ირწყვება მდინარეებისა და არხების წყლებით, რომლებიც ბინძურდება მომპოვებელი საწარმოდან გამომდინარე წყლით. ჩამდინარე წყალი გამოედინება საწარმოდან და შემდგომში სარწყავი სისტემის მეშვეობით ხვდება ნიადაგში. კვლევამ აჩვენა, რომ ძირითადი დამაბინძურებელი მძიმე ლითონებია: სპილენძი, თუთია, მანგანუმი, რომლებიც აქტიურ უარყოფით გავლენას ახდენენ ნიადაგის თვისებებზე, მის შემადგენლობაზე და ნიადაგწარმოქმნელ პროცესებზე. ეს განსაკუთრებით კარგად აისახება ნიადაგების ჰიდრო-ფიზიკური პოტენციალის გაუარესებაზე, ცვლის ნიადაგის pH-ს, ირღვევა დაბალანსებული კორელაცია მყარ, თხევად და გაზობრივ ფაზებს შორის. უკიდურესად დაბინძურებულ ნიადაგებში ადგილი აქვს შეცემენტების პროცესს და ნიადაგის მკვეთრად გაზრდილ სიმჭიდროვეს, გუარესებულ ფორიანობას და კრიტიკულად დაბალ წყალგამტარობას.

8. კლიმატის ცვლილების გავლენა ეკოსისტემებზე და სათბურის გაზების მომატება ატმოსფეროში, 21-ე საუკუნის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. ატმოსფეროს შემადგენლობა საგრძნობლად შეიცვალა ინტენსიური ტექნოგენური დაბინძურების გამო. აეროზოლების (მყარი, თხევადი და გაზის) კონცენტრაციის მატება სერიოზულ ზეგავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე და ქმნის სასიცოცხლო რისკ-ფაქტორების რისკს. მიუხედავად კლიმატის ცვლილების გლობალური ხასიათისა, მისი ინტენსივობა და გავლენის მასშტაბი ხასიათდება რეგიონების გეოგრაფიული მდებარეობის ადგილობრივი სპეციფიკითა და მეტეოროლოგიური ფაქტორებით. გარდა ამისა, შეფასებულია ქ. თბილისისათვის მეტეოროლოგიური და ეკოლოგიური პირობების გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე. გამოვლინდა ურთიერთდამოკიდებულება დამაბინძურებლებსა და მეტეოროლოგიური ფაქტორებს შორის: განსაკუთრებით გაზის დამაბინძურებელი მჭიდრო კორელაციაშია ყველა სხვასთან, რომელიც არის მათი ფოტოქიმიური აქტივობის შედეგი; დადებითი კორელაციური კავშირია (0.65; 0.69) ჰაერის ტემპერატურასა და დამაბინძურებელ ელემენტებს შორის; ყველა დამაბინძურებელი უკუკორელაციაშია შეფარდებით ტენიანობასთან, ჰიდროლიზის უნარის გამო. მრავალფაქტორული სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე, განისაზღვრა კორელაციური კავშირი სასუნთქო დახმარების გამოძახებებს, ამინდის ტიპებს, ატმოსფეროს დაბინძურების ინდექს, მიწისპირა ოზონის რაოდენობასა და დედამიწის მაგნიტურ ველს შორის. ატმოსფეროს დაბინძურებისას ანთროპოგენური მტვერით, ნახშირბადით, გოგირდისა და აზოტის ოქსიდებით, მიწისპირა ოზონის რაოდენობამ თბილისში მნიშვნელოვნად გადააჭარბა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას, რაც აისახება ადამიანის ჯანმრთელობაზე.

9. ქვეყნის განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული წყლის რესურსების მოხმარებაზე. საქართველო გამოირჩევა ჰიდრორესურსების სიმდიდრით, მაგრამ მათი არათანაბარი განაწილების გამო, წყლის მოთხოვნილება ხშირად არ ემთხვევა წყალმომარაგებას. ეს იწვევს მწვავე დეფიციტურ სიტუაციას. გლობალური კლიმატის ცვლილების გამო, მოსალოდნელია, რომ მტკნარი წყლის ოდენობა შემცირდეს საქართველოში. სწორედ ამიტომ, აუცილებელია წყლის რესურსების კომპლექსური მიდგომის გამოყენება წყალსაცავების მეშვეობით, რომელიც დიდი ეკონომიკური ეფექტის მიღწევის შესაძლებლობას იძლევა. საქართველოში არსებული ჰიდრო-ობიექტების მთავარი კომპონენტებია: ენერგიის წარმოება, ირიგაცია, წყალმომარაგება, წყალდიდობების რეგულაცია, რეკრეაცია, ტურიზმი, სპორტი. წყალდიდობების შევსება მთიანი რელიეფის პირობებში ხორციელდება გაზაფხულზე თოვლისა და მყინვარების დნობისას. საქართველოში, როგორც მთიან ქვეყანაში, უხვ წვიმებს აქვს ადგილი, რაც იწვევს მდინარეების კატასტროფულ დატბორვას. ზაფხულში და ზამთარში წყლის რაოდენობა 10-ჯერ მცირდება და სარწყავი წყლის მიწოდება და ენერგიის წარმოება ფერხდება. ამგვარად, წყლის ნაკლებობა, ისევე, როგორც მისი ჭარბი რაოდენობა, იწვევს ზარალს.სწორედ ამიტომაა საჭირო წყალსაცავებში წყალი რაოდენობის პროგნოზირება წლის სხვადასხვა პერიოდში. მაგრამ, კომპლექსურა, მთიან ტერიტორიებზე ოპერატიული ჰიდრომეტეოროლოგიური მონაცემები არასაკმარისია თანამედროვე მათემატიკური მეთოდების გამოსაყენებლად. შემუშავებულია პროგნოზირების მრავალ-ფაქტორული სტატისტიკური მოდელი, რომელიც სხვადასხვა მათემატიკური მეთოდებისა და კრიტერიუმები საშუალებით, შესაძლებელია ერთდროულად გამოკვლეულ იქნას პროგნოზების ზრდის დროულობა და მათი სიზუსტის ხარისხი. ეს მეთოდი უნივერსალურია მათი ალგორითმებისა და კომპიუტერული პროგრამების გამო, და შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა სტატისტიკურ კვლევებში. მათი გამოყენებით მივიღეთ მეთოდოლოგიას, მოკლე და გრძელვადიანი პროგნოზებისათვის, საქართელოს ძირითად წყალსაცავებში ჩამდინარე წყლის თვისებებზე, რათა შემდგომში მოხდეს ოპტიმალური დაგეგმარება და წყლის რესურსების შეუფერხებელი და უსაფრთხო ექსპლუატაციის რეგულირება.

10. ატმოსფერული ნალექები კლიმატის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია, რომელიც გავლენას ახდენს ჰავაზე და განაპირობებს მცენარეთა ტენით უზრუნველყოფის ხარისხს.

ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე მერყეობა 400-1,400 მმ-ს ფარგლებში. იგი მინიმალურია ჯავახეთის ზეგანსა და ახალციხის ქვაბულში, ხოლო მაქსიმალური აჭარა-იმერეთის და არსიანის ქედების მაღალმთიან ზონაში. ჯავახეთის პლატოზე სიმაღლის მიხედვით, ნალექები ჯერ მცირდება, შემდეგ ისევ იზრდება. მდ. ფარავნის აუზში ზღვის დონიდან 1,400 მეტრის სიმაღლეზე საშუალოდ ყოველ 100 მეტრზე ნალექები მცირდება 6-17 მმ-თ, ხოლო 1,400 მეტრის ზევით, ნალექები ჯერ მცირედ (4-20 მმ), შემდეგ მნიშვნელონად იზრდება (ყოველ 100 მეტრის სიმაღლეზე 44-76 მმ-ით), ერთ თვის განმავლობაში მოსული ნალექების მაქსიმალური რაოდენობა წლის ცივ პერიოდში 202 მილიმეტრია, უმცირესი 0.1 მმ-ია.
სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე ნალექების განაწილება სიმაღლის მიხედვით იცვლება და დაბალ ნაწილში თხევადი ნალექების წილად მოდის 75 %, მყარი 18 %, შერეული 8 %, ხოლო მაღალმთიან ნაწილში შესაბამისად 60 %, 31 % და 9 %-ია. მაღალმთიან ტერიტორიებზე ნალექები მყარი სახით მთელი წლის განმავლობაშია მოსალოდნელი, ხოლო დაბალ ნაწილებში მხოლოდ სექტემბრიდან მაისამდე. რეგიონში თბილ პერიოდში მოსული ნალექების რაოდენობა იცვლება 380 მმ-დან 621 მმ-მდე, ხოლო ცივ პერიოდში 140 მმ-დან 328 მმ-მდე.
ნალექების ტერიტორიულ განაწილებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს რელიეფის ფორმები. რეგიონი ყოველი მხრიდან შემოსაზღვრულია მაღალი ქედებით, რომელიც ატმოსფეროს ცირკულაციურ პროცესებს გარდაქმნის და აფერხებს ჰაერის მასების თავისუფალ გადაადგილებას. ამიტომ რეგიონში ჰაერის მასები დაღმავალი ხასიათისაა, მასში ტენის რაოდენობა მცირდება (შეზღუდულია კონდენსაცია), შედეგად ამისა სამცხე –ჯავახეთის ძირითად ტერიტორიაზე მცირე ნალექი მოდის. რეგიონში ნალექების წლიური განაწილების კონტინენტური ტიპია გაბატონებული.

1. ნაშრომის მიზანია საქართველოს ნაყოფიერი ნიადაგების მდგომარეობის რაოდენობრივი შეფასება და საშიში არახელსაყრელი სიტუაციების დადგომის რისკის გაანგარიშების მიახლოებით (ალბათური) მეთოდების შემუშავება. ასეთი მეთოდების აუცილებლობას კარნახობს ნიადაგების შენარჩუნება მინიმალური დანაკარგებით, რომელიც თავის მხრივ ხელს შეუწყობს გარემოსთან კაცობრიობის ჰარმონიულ თანამცხოვრებას და მდგომარეობის რადიკალურ გაუმჯობესებას. ნიადაგის დეგრადაციის დასაშვები ნორმების დადგენა საშუალებას იძლევა დავიცვათ ნიადაგი მატების ტენდენციის მქონე კატასტროფული გარეცხვებისგან, ამასთან მათი საშუალებით შესაძლებელია იმ გადაწყვეტილებათა მიღების კრიტერიუმების ფორმულირება რომელთა საშუალებით დაიგეგმება ნიადაგის დაცვისა და აღდგენის ღონისძიებები. საქართველოს ძირითადი ნიადაგებისათვის განსაზღვრულ იქნა დრო, რომლის განმავლობაშიც თითოეული ნიადაგი აღწევს დეგრადაციის ზღვრულ მნიშვნელობებს.

12. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, ატმოსფერომ, როგორც გარემოს ერთ–ერთმა ძირითადმა კომპონენტმა, მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა კლიმატის ცვლილება და მისი ზემოქმედება ადამიანსა და გარემოზე. სტატიაში აღწერილია აეროზოლებისა და მავნე ნივთიერებების გამონაბოლქვის დინამიკა საქართველოს რეგიონებისა და ქალაქების მიხედვით 2001–2010 წლებში. „სათბური გაზების“ ემისიის დინამიკა ტრანსპორტის სექტორში ცალკეა შეფასებული. 2010 წლისთვის, საქართველოში მოქმედი ქარხნებიდან სამრეწველო ნარჩენებმა 30134 ათასი ტონა შეადგინა წელიწადში. მათ შორის: მყარი დამაბინძურებლები – 3658 ათ. ტ., თხევადი და გაზობრივი – 26476 ათ. ტ. ყველაზე დაბინძურებულია იმერეთი, ქვემო ქართლი, აჭარა და შიდა ქარტის ზოგიერთი რეგიონი, რომლებიც 89%–ს შეადგენენ. ყველაზე დაბინძურებული ქალაქებია: ბათუმი, თბილისი, გარდაბანი, რუსთავი და კასპი, რაც იწვევს აეროზოლების ემისიის 69%–ს. ყველაზე დამაბინძურებელი წყაროებია: ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკის სექტორი და მრეწველობა. შეფასებულ იქნა მეტეოროლოგიური პირობების გავლენა ატმოსფეროს დაბინძურებაზე თბილ და ცივ სეზონებზე. გამოვლენილია კორელაცია მეტეოროლოგიურ ელემენტებსა და ატმოსფეროს დამაბინძურებელ ინგრედიენტებს შორის. საქართველოს ფიზიკურ–გეოგრაფიული კომპლექსები (მაღალი მთები, დახურული ხეობები, მდიდარი წყლის რესურსები), ისევე როგორც

მეტეოროლოგიური პირობები (სინოპტიკური პროცესები, ინვერსია, იზოთერმული) განაპირობებენ ატმოსფეროში აეროზოლების დაგროვებას და მიკროკლიმატის შესაძლო ცვლილებას.

13. მსოფლიოს საზღვაო ქვეყნების (მათ შორის საქართველოს) ეკონომიკური განვითარება პირდაპირ კავშირშია სანაპიროს ეკოლოგისთან და ქვეყანაში მიმდინარე ბუნებრივ და ანთროპოგენურ პროცესებთან, რომლებიც განსაზღვრავს მის მდგრადობას და ექსპლუატაციის შესაძლებლობებს.
სანაპირო ზონაში განლაგებულია ურბანიზებული ტერიტორიები, სასოფლო-სამეურნეო მიწები, ავტომაგისტრალები, დასასვენებელი კომპლექსები. სამწუხაროდ, სანაპიროს დაცვითი ღონისძიებების არაეფექტურობამ და შეზღუდულმა დაფინანსებამ გამოიწვია საქართველოს სასაზღვრო ზოლის ეროზია. სანაპიროზე არ შეიძლება იყოს განხილული, როგორც იზოლირებული ორგანო, რადგან ის არის ნაწილი ერთიანი ბუნებრივი სისტემისა. ამიტომ, ბუნებრივი მოვლენების, ან ტექნოგენური ზემოქმედებით გამოწვეული ცვლილებები აისახება მეზობელი ქვეყნების სანაპიროებზეც. მთლიანობაში, ადამიანის ჩარევა ბუნებრივ პროცესებში (პლაჟების ნატანის მოხსნა, სამდინარო არხების რეგულირება, კაშხლებისა და წყალსაცავების ასევე საპორტო ნაგებობების კონსტრუირება სანაპირო ზოლში) არა მხოლოდ აუმჯობეს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, არამედ მიმდინარე ბუნებრივ მოვლენებთან ერთად, ზღვის დონის აწევის გამო, აქტიურდება ქარიშხლები, მიწის წყალდიდობები, პროვოცირდება სანაპიროს ეროზიის ზრდის ტენდენცია, აქტიურდება პლაჟების გაუჩინარება, რაც ემუქრება იქ განლაგებული ინფრასტრუქტურის განადგურებას და დიდ მატერიალურ ზარალს, რომლის აღდგენაც რამდენიმე მილიარდ აშს დოლარს საჭიროებს. განხილულია საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს ეროზიის პრობლემა და ყველა საჭირო ზომა მისი დაცვისათვის კონცეპტუალური მიდგომების საფუძველზე, რომელიც ასევე გულისხმობს ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას და პლაჟების დაცვის მეთოდებს. ამ წინადადების პრაქტიკაში განხორციელების შემთხვევაში, დაგეგმილი კვლევის შედეგები შეიძლება ფართოდ იქნას გამოყენებული ნებისმიერი ზღვის როგორც ქვიშიანი, ისე ქვიშიან-ხრეშიანი პლაჟებისთვის.

14. სამცხეში მეურნეობის დარგებიდან უმნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობა და რეგიონს სასოფლო სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის წარმოების თვალსაზრისით საკმაოდ მაღალი პოტენციალი აქვს. ამაზე მიუთითებს საკმაოდ ნაყოფიერი და მრავალფეროვანი ნიადაგური ტიპები. სამცხეში ნაყოფიერების თვალსაზრისით გამოირჩევა ტყის ყავისფერი, მდელოს ყავისფერი, რუხი ყავისფერი და ტყის ყომრალი ნიადაგები. მათ წილად მოდის სასოფლო სამეურნეო სავარგულების ძირითადი ნაწილი. აქ არსებული მცირე ზომის სარწყავი არხები საქართველოს და მთლიანად კავკასიის მთიანი რაიონების სარწყავი არხების ანალოგიურია. მათი ზომა, ნაგებობა, წყალმგამტარიანობა და რწყვის ეფექტიანობა შეხამებულია მთიანი რელიეფის პირობებთან, აქაური სარწყავი არხები თავისი გამტარუნარიანობით მცირე ზომისანი არიან, უმრავლესობა გრუნტის, ან მოუპირკეთებელი კალაპოტისაა. მელიორაციული სისტემების მოწესრიგება და აქ გავრცელებული ნიადაგები, შესაძლებელს გახდის მნიშვნელოვნად გაიზარდოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოსავლიანობა.

15. კლიმატის ცვლილება იწვევს ჰიდროლოგიური ციკლის ინტენსიფიკაციას და ექსტრემალური მოვლენების გააქტიურებას. დატბორვის რისკის შეფასება, მისი პროგნოზირება და ჰიდროლოგიური პროფილაქტიკა წარმოადგენენ ძირითად საშუალბას წყალდიდობის შედეგების შესარბილებლად. წყალდიდობის რისკი გულისხმობს წყალდიდობების შექმნის ალბათობას და ზემოქმედების შედეგებს ბუნებრივ და ეკონომიკურ ობიექტებსა და მოსახლეობაზე. შემთხვევითი პროცესების თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის მეთოდების ერთიანობა ამ პრობლემის რაციონალური გადაჭრის შესაძლებლობას იძლევა. არსებობს სამი განსხვავებული პრობლემა, რომლებიც იქმნება წყალდიდობის დროს: ჰიდროტექნიკური ნაგებობების საიმედობა, მდინარეთა ხეობების გადავსება და დატბორვა; და ნაპირების გადარეცხვა. დატბორვის რისკის შეფასებისას მთავარ ამოცანას წარმოადგენს წყლის კრიტიკული დონე მდინარის გადადინებისას, ზარალის

შეფასება სხვადასხვა სიტუაციაში. დატბორვის რისკის შეფასებისას, შეთავაზებულია მაქსიმალური ვარდნის გაანგარიშებები ცალკეული თვეების მიხედვით, რაც უფრო პროგნოზირებადია, ვიდრე სეზონული და წლიური მაქსიმუმები. ყოველთვიური ნაკადების პროგნოზული მოდელები შემუშავებულია ბევრი მდინარისთვის და წარმატებით მუშაობს. ჩტარებული გაანგარიშებები იმედს იძლევა უფრო ეფექტური პროგნოზული მოდელების შესამუშავებლად.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Seperteladze Z. Davitaia E. Aleksidze T.	Landscape zoning of West Georgia for disseminate Actinidian culture	The First SDSU – Georgia STEM Workshop on Nanotechnology and Environmental Sciences, 4–6 September, Tbilisi, TSU http://sdsu-georgia.stem.2015.tsu.ge/en/
2	Seperteladze Z. Davitaia E.	Alexander Javaxichvili at the Davn of the Georgian fhysical Geography and Landscape Science	23-25 Octomber, Tbilisi
3	Alpenidze M. Seperteladze Z. Davitaia E. Aleksidze T. Gaprindashvili G.	Natural-geographical Zoning and Geo-ecologiacal Problems of Georgia's Black Sea Coast	Inernational Conference `Applied Ecology: Problems, Innovations~ ICAE-2015 7–10 May, Tbilisi-Batumi, GEORGIA http://icae-2015.tsu.ge/
4	Davitaia E. Seperteladze Z. Alexsidze T. Ruxadze N.	Natural Environment Zoning of West Georgia for Identifying the Perspective Regions of Actinidia Ghinensis Planch Culture Spreading	23-25 Octomber, Tbilisi
5	L.Lagidze, L.Matchavariani, D.Kereselidze, N.Tsivtsivadze, N.Paichadze, N.Motsonelize	The Influence of Meteorologial conditions on Athmospheric Pollution on the Example of Georgia	Inernational Conference "Applied Ecology: Problems, Innovations" ICAE-2015 7-10 May, 2015, Tbilisi-Batumi http://icae-2015.tsu.ge/
6	ლამზირა ლაღიძე, ნინო პაიჭაძე	გეოგრაფიული გარემოს გავლენა რადიოტალღების გავრცელებაზე (სამხრეთ კავკასიის მაგალითზე)	მესამე სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში – ზსმ-2015, 2–6 თებერვალი, 2015, თსუ http://conference.ens-2015.tsu.ge/
7	Nikolaishvili D., Trapaidze V., Kalandadze B., Lagidze L., Sartania D.,	Landscape planning of Samtkhe-Javakhetia	The First SDSU – Georgia STEM Workshop on Nanotechnology & Environmental Sciences 2015, 5 Sept., TSU http://sdsu-georgia.stem.2015.tsu.ge/en/

	Tolordava R.		
8	Kalandadze B., Nikolaishvili D., Trapaidze V., Lagidze L., Sartania D.	Geo-ecological Problems of Samtskhe-Javakheti Region	Network Conference "Human and Environmental Resources in Multiethic Societies", dedicated to the 10 years cooperation of TSU and Justus-Liebig University, Giessen 5-7 Nov., 2015, TSU
9	Tsivtsivadze N., Kereselidze D., Matchavariani L., Lagidze L., Motsonelidze N., Ivanov G.	Preventive Measures for Georgian Black Sea Coast Erosion	The First SDSU – Georgia STEM Workshop on Nanotechnology & Environmental Sciences 2015, 5 Sept., TSU http://sdsu-georgia.stem.2015.tsu.ge/en/

მოხსენებათა ანოტაციები (ქართულ ენაზე)

1. პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყო დასავლეთ საქართველოს ფიზიკურ–გეოგრაფიული ზონირება აქტინიდიის კულტურის გავრცელების ოპტიმალური პირობების მქონე რეგიონების გამოვლენის მიზნით. კვლევების შედეგად (აგროკლიმატური მახასიათებლების მოპოვება და დამუშავება) დადგინდა, რომ დასავლეთ საქართველოში აჭარა–გურიის, იმერეთის, სამეგრელოს და აფხაზეთის რეგიონებში აქტინიდიის გავრცელებისათვის ხელსაყრელი პირობებია ვაკე–დაბლობებზე და გორაკ–ბორცვიან მთისწინეთებში. ზოგიერთი სახეობის გავრცელება (მაგ. არგუტა) კი შესაძლებელია დაბალ და საშუალო მთებშიც, რაც ასახული იყო წარმოდგენილ აგრო–ლანდშაფტურ რუკაზე.

2. აღინიშნა აკად. ალექსანდრე ჯავახიშვილის ღვაწლი ქართული გეოგრაფიული მეცნიერების განვითარების საქმეში. აკად. ალ.ჯავახიშვილის მრავალრიცხოვან შრომათაგან აქცენტი გაკეთდა საქართველოს ფიზიკურ გეოგრაფიასა და ლანდშაფტმცოდნეობაზე. იგი საქართველოს ტერიტორიაზე გამოყოფს სამ მსხვილ მორფოლოგიურ ერთეულს: კავკასიონს, სამხრეთ მთიანეთსა და მთიანეთშორის ბარს. მან პირველად 30–იან წლებში შეადგინა პროგრამა და კითხულობდა ლექციების კურსს ლანდშაფტმცოდნეობაში. ასევე მნიშვნელოვანია აკად. ალ. ჯავახიშვილის შრომები გეომორფოლოგიაში, ანთროპოლოგიასა და ფიზიკურ–გეოგრაფიულ დარაიონებაში.

3. სტატიაში განხილულია საქართველოს შავიზღვისპირეთის ბუნებრივ–გეოგრაფიული ზონირება და გეოეკოლოგიური პრობლემები. ნაშრომში აქცენტი კეთდება ანთროპოგენურ წნეხზე, რამაც დაარღვია ბუნებრივი წონასწორობა სისტემისა ადამიანი – ბუნება–წარმოება. ყოველივე ამან დღის წესრიგში დააყენა საკითხი სანაპირო ზონის ლანდშაფტების აღდგენისა და გარემოს დაცვის აუცილებლობისა. შავი ზღვის მთელ პერიმეტრზე ადამიანის არაგონივრული ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილი ნეგატიური შედეგები უარყოფით ზეგავლენას ახდენენ ტურისტულ–რეკრეაციულ ინდუსტრიაზე, რომელიც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგად არის მიჩნეული. ამდენად, სტატიის აქტუალობა და უაღრესად დიდი მნიშვნელობა ეჭვს გარეშეა.

4. ავტორთა მიერ ამ სტატიაში კვლევის მათემატიკური მეთოდის გამოყენებით შემუშავდა ტერიტორიული ერთეულების აგრორესურსული პოტენციალის შეფასების მეთოდიკა, რომელიც ემყარება ეტალონ–ობიექტამდე ფაქტორთა პრიორიტეტულობის კოეფიციენტით შეწონილი მანძილების გაანგარიშებას. დადგენილ იქნა, დასავლეთ საქართველოში აქტინიდიის (კივის) კულტურის გავრცელებისათვის აგრორესურსული პოტენციალის ტერიტორიული განაწილების კანონზომიერებანი, გამოვლენილ იქნა განსხვავებული პოტენციალის მქონე ჰიფსომეტრიული ზონები, ლანდშაფტური ტიპები და რეგიონები.

5. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, ატმოსფერომ, როგორც გარემოს ერთ–ერთმა ძირითადმა კომპონენტმა, მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა კლიმატის ცვლილება და მისი ზემოქმედება ადამიანსა და გარემოზე. სტატიაში აღწერილია აეროზოლებისა და მავნე ნივთიერებების გამონაბოლქვის დინამიკა საქართველოს რეგიონებისა და ქალაქების მიხედვით 2001–2010 წლებში. „სათბური გაზების“ ემისიის დინამიკა ტრანსპორტის სექტორში ცალკეა შეფასებული. 2010 წლისთვის, საქართველოში მოქმედი ქარხნებიდან სამრეწველო ნარჩენებმა 30134 ათასი ტონა შეადგინა წელიწადში. მათ შორის: მყარი დამაბინძურებლები – 3658 ათ. ტ., თხევადი და გაზობრივი – 26476 ათ. ტ. ყველაზე დაბინძურებულია იმერეთი, ქვემო ქართლი, აჭარა და შიდა ქართლის ზოგიერთი რეგიონი, რომლებიც 89%–ს შეადგენენ. ყველაზე დაბინძურებული ქალაქებია: ბათუმი, თბილისი, გარდაბანი, რუსთავი და კასპი, რაც იწვევს აეროზოლების ემისიის 69%–ს. ყველაზე დამაბინძურებელი წყაროებია: ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკის სექტორი და მრეწველობა. შეფასებულ იქნა მეტეოროლოგიური პირობების გავლენა ატმოსფეროს დაბინძურებაზე თბილ და ცივ სეზონებზე. გამოვლენილია კორელაცია მეტეოროლოგიურ ელემენტებსა და ატმოსფეროს დამაბინძურებელ ინგრედიენტებს შორის. საქართველოს ფიზიკურ–გეოგრაფიული კომპლექსები (მაღალი მთები, დახურული ხეობები, მდიდარი წყლის რესურსები), ისევე როგორც მეტეოროლოგიური პირობები (სინოპტიკური პროცესები, ინვერსია, იზოთერმია) განაპირობებენ ატმოსფეროში აეროზოლების დაგროვებას და მიკროკლიმატის შესაძლო ცვლილებას.

6. მეტეოროლოგიური პარამეტრები (P,T,e) და ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ რადიოტალღების გარდატეხის კოეფიციენტის ცვლილებაზე. წარმოიქმნება მიწისპირა ჰაერის ფენები არაერთგვაროვანი დიელექტრიკული განვლადობით, რაც იწვევს რადიოტალღების გავრცელების პირობების არაპროგნოზირებად ცვლილებას. კვლევის შედეგად მიღებულია შემდეგი დასკვნები: 1. ატმოსფეროში გარდატეხის კოეფიციენტის (N) ცვლილება დამოკიდებულია მეტეოროლოგიური ელემენტების (P,T,e) სივრცით-დროით განაწილებაზე. მეტეოროლოგიური ელემენტების სივრცეში ცვლილების მიზეზები მრავალგვარია და დამოკიდებულია ფიზიკურ-გეოგრაფიულ, მეტეოროლოგიურ და კლიმატურ პირობებზე. 2. გარდატეხის კოეფიციენტის გრადიენტის მნიშვნელობები ძირითადად დამოკიდებულია სინოტივისა და ტემპერატურის ცვლილებაზე ტროპოსფეროში. სინოტივის გაზრდა და ტემპერატურის შემცირება იწვევს გარდატეხის კოეფიციენტის გაზრდას. 3. ატმოსფეროს ისეთი სტარტიფიკაციის შემთხვევაში, როცა ტემპერატურის გრადიენტი 6.5°C/1კმ-ზე მეტია, ხოლო სინოტივის გრადიენტი 3.5 მმ/1კმ-ზე ნაკლებია, გარდატეხის მაჩვენებლის გრადიენტი (gN) აღწევს კრიტიკულ მნიშვნელობას. ამ შემთხვევაში რადიოტალღის ტრაექტორია წრფივია (ე.ი. არ განიცდის გარდატეხას). 4. შავი ზღვის სანაპიროზე აღინიშნება გარდატეხის კოეფიციენტის მკვეთრი შემცირება სიმაღლის მიხედვით, გამოწვეული წნევის ვერტიკალური გრადიენტის შემცირებით, რაც შესაძლებელია აიხსნას ბრიზული ცირკულაციით. 5. ატმოსფეროს თერმული მდგომარეობა დიდ გავლენას ახდენს გარდატეხის კოეფიციენტის განაწილებაზე. იზოთერმიისა და ინვერსიის შემთხვევაში გარდატეხის კოეფიციენტის (N) სიდიდე მცირდება, რაც იწვევს მისი გრადიენტის (gN) გაზრდას. 6. ტროპოსფეროში ულტრამოკლე რადიოტალღების გავრცელებისას ადგილი აქვს მათი ინტენსიობის მნიშვნელოვან შესუსტებას, რაც გარემოს ფიზიკურ-გეოგრაფიული მდგომარეობის გარდა, აგრეთვე გამოწვეულია აეროზოლებზე გაბნევით და ატმოსფერული გაზებისა და აეროზოლების მიერ მათი შთანთქმით.

7. კვლევის მიზანია ტერიტორიული დაგეგმარებისათვის სამცხე-ჯავახეთის ლანდ-შაფტურ-ეკოლოგიური მოდელის შექმნა რომლითაც დაინტერესებული მხარეები მიიღებენ სათანადო ინფორმაციას და განსაზღვრავენ ლანდშაფტებში მოსალოდნელ ცვლილებს. კვლევის ამოცანებია საკვლევი რეგიონის: ლანდშაფტთა გეოეკოლოგიური (კლიმატი, ჰიდროლოგია, ნიადაგები და ა.შ.)

ინვენტარიზაცია როგორც საფონდო მასალების დამუშავების ისე საველე-საექსპედიციო კვლევის შედეგად, გის-ის მონაცემთა ბაზის შექმნა, რეგიონის მსხვილმასშტაბიანი შეფასება და მდგრადი ბუნებათსარგებლობისათვის რეკომენდაციების შემუშავება.

8. სამცხე-ჯავახეთი საქართველოს მნიშვნელოვანი რეგიონი და ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინცია. იგი მდებარეობს ქვეყნის სამხრეთ ნაწილში და წარმოდგენილია ექვსი მუნიციპალიტეტით: ახალციხე, ასპინძა, ადიგენი, ახალაქალაქი, ნინოწმინდა და ბორჯომი. რეგიონი მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებითა და რესურსებით ხასიათდება (მინერალური წყაროები, სასოფლო სამეურნეო სავარგულები, ტბები, ქარისა და მზის ენერგია, ხელუხლებელი ლანდშაფტები, სხვადასხვა სახის სასარგებლო წიაღისეული და სხვ.). რეგიონს გააჩნია მაღალი ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალი. აქ გადამწყვეტი ადგილი უკავია აგრარულ სექტორს. დარგის წილად მოდის მთლიანი შიდა პროდუქტის 49% და დასაქმებულია შრომითი რესურსების უდიდესი ნაწილი. რეგიონის პერიფერიულ ნაწილში მდებარეობა, მემკვიდრეობის სახით შემორჩენილი ბუნებათსარგებლობის პრაქტიკა, ეთნოგრაფიული და რელიგიური მრავალფეროვნება განაპირობებს მხარის თავისებურებას. მიუხედავად მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებისა გარემოზე როგორც ბუნებრივი ისე ანთროპოგონური დატვირთვები აფერხებს რეგიონის წინსვლას. მნიშვნელოვანი ეკოლოგიური პრობლემებია: ნიადაგის ეროზია და დეგრადაცია, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში ქიმიური სასუქების ინტენსიური გამოყენება, წყლის რესურსების არათანაბარი გადანაწილება და მოძველებული ინფრასტრუქტურა, გეოდინამიკური პროცესების ინტენსივობა, არაკონტროლირებადი ძოვება, ნარჩენების განთავსება და სხვა. ყოველივე ეს კი განაპირობებს ბიომრავალფეროვნების შემცირებას. ცხადია პრობლემები მრავალწახნაგოვანია და საჭიროებს ბუნებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და ისტორიულ-კულტურული ასპექტების ერთობლივ ანალიზს. ასეთი ინტეგრირებული კვლევები მთელ რიგ პრობლემებთანაა დაკავშირებული, მეტადრე ისეთ რეგიონში როგორც სამცხე-ჯავახეთია. კვლევის მიზანია უმთავრესი გეოეკოლოგიური პრობლემების შესწავლა და ანალიზი და შესაბამისად გარემოზე მოქმედი იმ მნიშვნელოვანი რისკების შეფასება რომლებიც არსებობს რეგიონში.

9. მე-20 საუკუნეში მთელს მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც შეიმჩნევა ნაპირების წარეცხვის არეალების და ინტენსივობის ზრდა დროის მცირე, საინჟინრო პერიოდში, მათ შორის, ტექტონიკური აწევის სტადიაში მყოფ უბნებზეც, რაც აქ განლაგებულ ობიექტებს განადგურებითა და კატასტროფული მატერიალური ზარალით დაემუქრა. საქართველოში გამოყენებული, ნაპირდაცვის ტრადიციული ნაგებობები არა თუ არ იძლეოდნენ რაიმე დადებით ეფექტს, არამედ პირიქით იწვევდნენ სანაპირო ლანდშაფტის ტექნოლოგიური გადატვირთვის ხარისხის ზრდას, უმეტეს შემთხვევაში ხელს უშლიდნენ ნატანის ნაპირგასწვრივ გადაადგილებას, ხელს უწყობდნენ მისი ბალანსის დარღვევას და შედეგად სანაპირო ზოლის შევიწროებასა და არსებული პლაჟების-ნაპირდაცვის საუკეთესო მორფოლოგიური ფორმის- წარეცხვებს. ნაპირდაცვის ღონისძიებების ჩატარების აუცილებლობის ყოველწლიური ზრდის გამო, წარმოიქმნა მათი ღირებულების შემცირების მნიშვნელოვანი პრობლემა, რომლის გადაწყვეტის რაციონალურ გზას ახალი მეთოდების შესაბამისი ტექნოლოგიების დანერგვა და დაბალფასიანი სამშენებლო მასალის გამოყენება წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ჩვენს მიერ შემოთავაზებული ნაპირის აღდგენა-დაცვის ღონისძიების მეთოდი, ტრადიციულ ნაპირსამაგრ ნაგებობების მშენებლობაზე მნიშვნელოვნად იაფია, არ საჭიროებს დიდ დროს, მისი აგება ადგილზევე შეიძლება, როგორც ნაპირიდან ასევე ზღვიდან. ეროდირებული პლაჟის აღდგენა, განიერის შექმნა, შესაბამისი რეცრეაციული მომსახურების ფართო სპექტრითა და ინფრასტრუქტურით, გაზრდის სანაპიროს მიმზიდველობას, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს დასაქმებულთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და მთლიანობაში ხელს შეუწყობს სანაპირო რეგიონების მდგრად განვითარებას.

ბ) უცხოეთში

#	მომხსენებელი / მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Matchavariani L. Lagidze L. Paichadze N.	Intensity, Distribution and Role of Profile-forming Processes in Pedogenesis of Georgia	15th International Multidisciplinary Scientific Geo- Conference SGEM2015 „Ecology, Economics, Education & Legislation” 2015, 18-25 June, Albena, BULGARIA http://www.sgem.org/
2	Tsivtsivadze N. Khatiashvili E. Matchavariani L. Lagidze L. Motsonelidze N.	Determination of Chlorine Optimal Dose for Drinking Water Disinfection	15th International Multidisciplinary Scientific Geo- Conference SGEM2015 „Ecology, Economics, Education & Legislation” 2015, 18-25 June, Albena, BULGARIA http://www.sgem.org/
3	Lagidze L.	The role of landscape in climate formation (Samcxe-Javakxeti region, Georgia)	OMICS Group 4th International Conference on Earth Science & Climate Change 2015, 16-18 June, Alicante, SPAIN http://earthscience.conferenceseries.com/scientifi-program.php?day=1&sid=682&date=2015-

მოხსენებათა ანოტაციები (ქართულ ენაზე)

1. საქართველოს ნიადაგების ძირითადი გეოგრაფიული პარამეტრების გამოვლენისას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ნიადაგწარმოქმნელი პროცესების (ჰუმიფიკაცია, გალებება, გარკინიანება, ლესივირება, გათიხება, გაკარბონატება) მიკრომორფოლოგიურ დიაგნოსტირებას. თითოეული გენეტიკური ტიპისათვის გამოვლენილია ყველაზე დამახასიათებელ პროცესთა ჯგუფები: შავმიწა, ყავისფერ და მთელოს ყავისფერ ნიადაგებში გავრცელებული პროცესებია – ჰუმიფიკაცია-გალებება-გაკარბონატება; რუხ-ყავისფერ, მდელოს რუხ-ყავისფერ და დამლაშებულ ნიადაგებში – გაკარბონატება გალებებისა და ლესივაჟის მონაწილეობით; ყვითელმიწა, სუბტროპიკულ ეწერ და ეწერ-ლებიან ნიადაგებში – ლესივაჟი-გალებება-გარკინიანება; წითელმიწა და ალუვიურ ნიადაგებში – ლესივაჟი-გარკინიანება; მთის შავმიწებში ჰუმიფიკაცია-გათიხება; ყომრალებში – გათიხება გარკინიანებისა და ლესივაჟის მონაწილეობით; მთა-მდელოს ნიადაგებში – ლესივაჟი, ნაწილობრივ გალებება. შექმნილია კარტოგრაფიული მასალა, რომელიც ასახავს პროფილის მაფორმირებელი პროცესების გავრცელებასა და ინტენსურობას საქართველოს ნიადაგებში.

2. სასმელი წყალი დიდ გავლენას ახდენს მოსახლეობის სიცოხლის უნარიანობაზე, ამიტომ მოწოდებული წყლის რაოდენობისა და ხარისხის პრობლემა დიდ როლს ასრულებს ადამიანის ჯანმრთელობაზე. სამწუხაროდ, საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი იძულებულია ისარგებლოს წყლით, რომელიც არ შეესაბამება სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს. სასმელი წყლის დიდი ნაწილი დასახლებულ პუნტებში გამოედინება წყალსაცავებიდან, რომლებიც ივსება მდინარეებიდან, ან ტბებიდან, რომლებიც წვიმის წყლის, თოვლის ან მყივნარის მდნარი წყლის შემკრებებს წარმოადგენენ. ისინი ძირითადად დაბინძურებულია რამდენიმე ქიმიური და ორგანული ნივთიერებით, სხვადასხვა ნბაქტერიითა და მიკროორგანიზმით, რაც ნაწლავების დაავადებებს იწვევს. ამდენად, აქტუალური გახდა პრობლემა, რომელიც უკავშირდება საკითხს, თუ როგორ უნდა

შემცირდეს წყლის დაბინძურება და თავიდან იქნას აცილებული ქლორირებული სასმელი წყლის მავნე ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე. ამ მიზნით ჩატარებული სამუშაო წარმოადგენს ქლორის ოპტიმალური დოზის განსაზღვრის მცდელობას სასმელი წყლის პათოგენური ბაქტერიებისგან დეზინფექციივის წყალმომმარაგებელ რეზერვუარებში, მაშინ როდესაც დამაბინძურებელი ორგანული ნივთიერება არსებობს წყალსაცავში.

3. ადამიანის და კლიმატის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა უმთავრესია კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე და შეიძლება მომავალში საზოგადოების პროგრესისა ან დეგრადაციის მიზეზი გახდეს. განსაკუთრებით საგრძნობია ეს გარემოება მთიან ქვეყანაში, კერძოდ საქართველოში, რომელიც ხასიათდება რთული ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებით (სიმაღლე ზღ.დ(0-5068მ) და განიხილება როგორც მრავალფეროვანი კლიმატური პირობების მქონე ქვეყნის მაგალითი: ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონი სამცხე-ჯავახეთი. იგი ქვეყნის სამხეთით მდებარეობს და მკვეთრად განსხვავდება საქართველოს სხვა რეგიონების კლიმატური პირობებისაგან (რაც ადგილობრივი ფაქტორების გავლენითაა გამოწვეული).

სამცხე-ჯავახეთის ჰავის მრავალფეროვნების ერთ-ერთი მიზეზია ქვეფენილი ზედაპირის ხასიათი და სიმაღლე ზღვის დონიდან (900-3300მ), ზედაპირის დანაწევრების ხასიათი, ქედებისა და ხეობების მონაცვლეობა, მცენარეული საფარი (ტყე, მდელო, ველი, წყლის აუზები), იწვევს ქვეფენილი ზედაპირის არათანაბარ გათბობას და ცირკულაციური პროცესების გაძლიერებას. რეგიონის მცენარეული საფარი ძლიერ გარდაქმნილია ანთროპოგენური ფაქტორების ზემოქმედებით, რაც მკვეთრად ცვლის კლიმატურ პირობებს.

ქედების განლაგება ატმოსფეროს ცირკულაციურ პროცესებს იმდენად გარდაქმნის, რომ მის ქვედა ფენებში, ქედების სხვადასხვა მხარეს ერთი და იგივე პროცესის დროს ამინდის პირობები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე მერყეობს 400-1400 მმ-ის ფარგლებში. ნალექების ტერიტორიული განაწილებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს რელიეფის ფორმები. ტერიტორიაზე ჰაერის მასები დაღმავალი ხასიათისაა, ამიტომ მასში ტენის რაოდენობა მცირდება (შეზღუდულია კონდენსაცია), შედეგად ამისა სამცხე–ჯავახეთის ძირითად ტერიტორიაზე მცირე ნალექი მოდის. რეგიონის მთელ ტერიტორიაზე ნალექების წლიური განაწილების კონტინენტური ტიპია გაბატონებული.

სამცხე-ჯავახეთის სხვადასხვა ტერიტორიაზე განსხვავებული მიმართულების ქარებია გაბატონებული და მათი მიმართულება ხეობების მიმართულებების თანხვედრილია. აქ გაბატონებულია ჩრდილოეთის (31%) და სამხრეთის (34%) მიმართულების ქარები. გაბატონებული ქარები ადგილობრივი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების გავლენით ხშირ შემთხვევაში მთა-ხეობის ტიპის ხასიათს იძენს (მიმართულების პერიოდული ცვალებადობით დღე-დამის განმავლობაში).

V. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

#	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1			
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

IV. 2.

#	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1			
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

გეოლოგიის დეპარტამენტი

სამეცნიერო საქმიანობის ამსახველი წლიური ანგარიში

2015 წელი

I. 1. გეოლოგიის დეპარტამენტი

I. 2. დეპარტამენტის ხელმძღვანელი: პროფესორი ბეჟან თუთბერიძე

I.3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

1. **თუთბერიძე ბეჟანი**, პროფესორი;
2. **აქიმიძე კარლო**, ასოცირებული პროფესორი;
3. **ქუთელია გურამი**, ასოცირებული პროფესორი;
4. **ლებანიძე ზურაბი**, ასოცირებული პროფესორი;
5. **ახალკაციშვილი მარიამი**, ასისტენტ პროფესორი;
6. **ქოიავა კახა**, ასისტენტ პროფესორი;

I. 1. <u>საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით</u> 2015 წლისათვის
დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

I. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	„ჯავახეთის ზეგნის ნეოგენურ-ანთროპოგენური ვულკანური წარმონაქმნებში პოსტვულკანური მინერალიზაციის პროცესები“ (გომარეთის, დმანისისა და ახალქალაქის პლატოების მაგალითზე) *თემა გარდამავალია (2014-2017)* *პეტროლოგია, გეოლოგია*	პროფესორი **ბეჟან თუთბერიძე**	პროფესორი **ბეჟან თუთბერიძე** ასისტენტ-პროფესორი **მარიამ ახალკაციშვილი**

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები

2015 წელს ჯავახეთის ვულკანური ზეგნის, კერძოდ დასახელებული მუნიციპალიტეტების, ტერიტორიის ფარგლებში გამოვლინებულ ნეოგენურ-ანთროპოგენური ვულკანური წარმონაქმნების დოლერიტულ ფორმაციაში გაგრძელდა პოსტვულკანური მინერალიზაციის პროცესის დადგენა-შესწავლა. ექსპედიციის პერიოდში აღმოჩენილი იქნა ჰიდროთერმული პროცესების გამოვლინების ახალი პერსპექტიული უბნები, საიდანაც აღებული იქნა მდიდარი ქვიური მასალა, რომლის კომპლექსური ლაბორატორიული შესწავლა მიმდინარეობს და რომლის შედეგების ინტერპრეტაციის საფუძველზე მოხდება სამეცნიერო ანგარიშისა და სტატიის შედგენა. მიგვაჩნია, რომ მიღებულ-შემაჯამებელ შედეგებს ექნება არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული ღირებულებაც, რადგან ისინი მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევს რეგიონში მადნეული და არამადნეული სასარგებლო ნამარხების გამოვლენით დაინტერესებულ მკვლევარებს.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2	სამშენებლო და მოსაპირეთებელი ქვის ნედლეულის შესწავლა ალაზანგაღმა კახეთის	ასოცირებული პროფესორი **კ.აქიმიძე**	**კ.აქიმიძე**-ასოც.პროფესორი მ.მაქაძე-სტუდენტი

	ტერიტორიაზე *თემა გარდამავალია* *პეტროლოგია, გეოლოგია*		
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
გასულ 2014 წელს, ჩვენი ჯგუფის მიერ, აღნიშნული თემის ფარგლებში, საველე და კამერალური კვლევებით, შესწავლილი იქნა მდ. სტორის შუა წელში გამოვლენილი ადრე იურული ბაზალტური ვულკანიზმის პროდუქტები. სამუშაოები შესრულდა, კერძოდ მდ. სტორის მარჯვენა ფერდისა და მისი მარჯვენა შენაკადის-სვიანას ხევის აუზის ფარგლებში. შესრულებულმა კვლევებმა მოგვცა დადებითი შედეგები. მიმდინარე - 2015 წელს, აღნიშნული სამუშაოები გავაგრძელეთ მდ.სტორის მარცხენა ფერდსა და მისი მარცხენა შენაკადის - ეშმაკის ხევის აუზში. საველე სამუშაოების შესრულების შედეგად პერსპექტიული მადნიანი სტრუქტურა მიმართებაზე გაიდევნა თითქმის 1.5 კმ-ზე. აღებული იქნა ლაბორატორიული და კამერალური კვლევისათვის საჭირო ქვა-მასალა, რომლის დამუშავებაც ამჟამად მიმდინარეობს.			
№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
3	ფოლადაურის მაგნიტური ანომალიის გეოლოგიური ინტერპრეტაცია. *თემა გარდამავალია (2014-2016).* *ძიების გეოფიზიკური მეთოდები, გეოლოგია*	ასოცირებული პროფესორი **გურამ ქუთელია**	**გურამ ქუთელია** ასოც.პროფესორი *ნარგიზ აბუთიძე, ლაბ.,* *ნონა ლურსმანაშვილი, ლაბ.,* *ნონა წულაია, სტუდენტი*
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
საველე სამუშაოები ჩატარდა 4-18.08.2014 ბოლნისის რაიონში. გადამოწმდა წინასწარ შესწავლილი გეოლოგიური და გეოფიზიკური მასალის საფუძველზე გამოვლენილი მაგნიტური ანომალიები და გაყვანილ იქნა დამატებითი მაგნიტური პროფილები. საველე პერიოდში მიღებული მაგნიტური მონაცემებით აგებულ იქნება Za გრაფიკები.			
№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

4	კავკასიონის კიდურა ზღვის აღმოსავლეთ აუზის ქვედაცარცული ნალექების სედიმენტოლოგიური და პალეოიქნოლოგიური კვლევა *თემა გარდამავალია* პალეონტოლოგია, გეოლოგია	ასოცირებული პროფესორი **ზურაბ ლებანიძე**	*ასოცირებული პროფესორი* ***ზურაბ ლებანიძე*** *სტუდენტი* *რატი ზედგინიძე*
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			

2015 წლის საველე სამუშაოების პერიოდში ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა მდ. ფშავის არაგვის აუზის ქვედაცარცული ნალექების რამდენიმე ჭრილი სედიმენტოლოგიური კვლევის და მათში იქნოფაუნის დადგენის მიზნით. ე. ვარსიმაშვილის (2000) მონაცემებით და ჩვენი დაკვირვებით მდ. ფშავის არაგვის ხეობაში ქვედაცარცულის არასრული ჭრილია წარმოდგენილი ჰოტრივულით დაწყებული ალბურით დამთავრებული. ქვედაცარცულის ჭრილი ზოგადად შემდეგნაირად გამოიყურება: უძველესი წარმონაქმნია ქვედაჰოტრივული ასაკის ე. წ. ბახანის წყება, რომელიც აგებულია კარბონატული და არაკარბონატული წარმონაქმნების (კირქვები, მერგელები, ქვიშაქვები, არგილიტები) მორიგეობით (სიმძლავრე 100–250 მ). სტრატიგრაფიულად ზევით განლაგებულია გრაუვაკურ–ალევრიტული ფასანაურის წყება, რომელიც სამ ქვეწყებად ნაწილდება: ქვედა – 100–300მ სიმძლავრის, აგებული არგილიტებითა და პლაგიოკლაზიან–კვარციანი ქვიშაქვებით (ზედაჰოტრივული), შუა – ქვედაბარემული, წარმოდგენილი არგილიტების შუაშრეების შემცველი სქელშრეებრივი არკოზულ–კვარციანი ქვიშაქვებით (სიმძლავრე 90–250 მ) და ზედა–აგებული 80–130 მ სიმძლავრის არგილიტებითა და პლაგიოკლაზიან–კვარციანი ქვიშაქვებით (ზედაბარემული). ფასანაურის წყებას აგრძელებს აპტური ასაკის თეთრახევის წყება, რომელიც აგებულია შავი და ნაცრისფერი არგილიტებისა და ქარსიან–პლაგიოკლაზიან–კვარციანი ქვიშაქვების მორიგეობით (სიმძლავრე 220–250 მ). ქვედაცარცულის ჭრილი სრულდება ფავლეურის წყების ფერადი არგილიტებით, ნაცრისფერი მერგელებით და ქვიშიანი კირქვებით. ზედა ჰორიზონტებში ჩნდება ვულკანოგენურ–დანალექი წარმონაქმნები (სიმძლავრე 250–300 მ).
ამრიგად, აღნიშნული ნალექები, შედგენილობისა და მასალის წყაროს მიხედვით, ხასიათდებიან რა ფლიშისთვის დამახასიათებელი ყველა თვისებით, წარმოადგენენ ერთიან ფლიშურ ფორმაციას, რომელშიც განირჩევა კლასტურ–კირქვიანი და გრაუვაკურ–ალევრიტული ტიპები.

კლასტურ–კირქვიან ფლიშის ტიპში, რომელიც შესწავლილი კომპლექსის ზედა ჰორიზონტებშია განვითარებული, ქანების გრანულომეტრიული და ნივთიერი შედგენილობის და რითმის ელემენტრების სიმძლავრის მიხედვით მიეკუთვნება მერგელიან–არგილიტიან სახესხვაობას. გრაუვაკურ–ალევრიტულ ტიპში კი გამოიყოფა ქვიშაქვა–არგილიტიანი (ნორმული ფლიში – ჰოტრივული), ქვიშაქვიანი (ქვედაბარემული) და არგილიტიანი (ზედაბარემულ–აპტური) სახესხვაობები.
სხვადასხვა გენეზისის იეროგლიფები მდ. ფშავის არაგვის აუზში გვხვდება ძირითადად ჰოტრივულ და ბარემულ ნალექებში. აქ განვითარებული ნადენი ფორმების წაწვეტებული დაბოლოებების მიმართულება ძირითადად ჩრდილოურ–ჩრდილო–აღმოსავლურია (0^0–5), რაც ადასტურებს მოსაზრებას აუზის ამ ნაწილის მკვებავი არეს შესახებ (ბათური კორდილიერა).
მდ. ფშავის არაგვის აუზის ქვედაცარცულ ნალექებში წინასწარი განსაზღვრით დადგენილია იქნოგვარების Chondrites (2 იქნოსახე), Cochlichnus (1იქნოსახე), Paleopascichnus(1 იქნოსახე) და Zoophycos (1 სახე) წარმომადგენლები. იქნოკომპლექსში მეანდრირებადი და სპირალური ფორმების არსებობა მიუთითებს ბიოტოპზე სტაბილური გარემო პირობებით და შეზღუდული საკვები რესურსით, ანუ ღრმა ზღვის ფსკერზე, ხოლო Chondrites-ების გავრცელება დამატებით მეტყველებს დაბალ–ოქსიგენურ გარემოზე.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	ართვინ -ბოლნისის ზონის პალეოგენური ნალექების იქნოლოგიური შესწავლა. *თემა გარდამავალია*	ასისტენტ პროფესორი კახა ქოიავა	

	პალეონტოლოგია, გეოლოგია		

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები

2015 წლის სამეცნიერო ექსპედიციის საკვლევი ტერიტორია მდებარეობს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში. ზაფხულის საველე სამუშაოების დროს შესწავლილ იქნა სოფ. ჯორჯიაშვილის, ვარდისუბნის, ტბისის, აბრამეთის და ამლევის მიმდებარე ტერიტორიები. ასევე ექსპედიციის წევრები გაეცნენ წალკისკენ მიმავალი საავტომობილო გზის გასწვრივ არსებულ ხელოვნურ გაშიშვლებებს. მთლიანად აღებულ რეგიონში წარმოდგენილია მსხვლმარცვლოვანი კონგლომერატები, რომლებიც ზედაეოცენური ასაკის თანადროულია. მათი სიმძლავრე მერყეობს 10-300 მ. ფარგლებში. აღსანიშნავია გამოფიტვის მაღალი ხარისხიც, რომელიც ზედაპირზე ხშირ შემთხვევაში იქნოლოგიური ნაშთების და მათი ნაკვალევების შესწავლას შეუძლებელს ხდის. ზემოთ აღნიშნული ნალექებთან ერთად გვხვდებიან მუქი ფერის არგილიტებიანი განშრევებიანი ტუფოგენური ქვიშაქვები, რომლებშიც შეიმჩნევიან მოცისფრო-ნაცრისფერი არაკარბონატული ქვიშაქვების საშუალო ზომის კონკრეციები.

ჩვენს მიერ შესწავლილი ნალექები როგორც მორფოლოგიურად, ასევე იქნოფაუნის მონაცემებით (Planolites Nicolson, 1876. Chondrites Sternberg, 1833 (part.FucoidesBrongiart 1923.Chondrites (2 იქნოსახე), Gyrophyllites (1იქნოსახე) და Scolicia (1 იქნოსახე)) მიუთითებენ საკვლევი რაიონის ნალექების ზედაეოცენურ ასაკს.

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

I. 4.

2	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	საქართველოს ზოგიერთი რეგიონის სხვადასხვა ნიადაგგეოლოგიური სტრუქტურის ფონური ბუნებრივი და ტექნოგენური რადიოაქტივობა და მოსახლეობისათვის რადიოლოგიური რისკის შეფასება, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები 2015-2018	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	თ.ჯახუტაშვილი	**ბ.თუთბერიძე** ე.თულაშვილი მ.ჩხაიძე ლ.მწარიაშვილი **მ.ახალკაციშვილი** /დამხმარე/

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)
პროექტი გარდამავალია, და საერთოდ ითვალისწინებს აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონების (შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, ქვემო ქართლი, კახეთი) ვაკე და მთიანი ტერიტორიის სხვადასხვა ნიადაგის, მაგმურ, მეტამორფულ და დანალექ ქანებში რადიონუკლიდური შედგენილობის და რადიოაქტივობის ფონური კონცენტრაციების დადგენას, ბუნებრივ და ანთროპოგენურ ფაქტორებთან დაკავშირებული თავისებურებანის და კანონზომიერებების განაწილების შესწავლას, მოსახლეობისათვის შესაბამისი რადიოლოგიური რისკის შეფასებასა და ამ მიმართულებით მონაცემთა ბაზის შექმნას. 2015 წელს პროექტის პირველი ეტაპის ფარგლებში ჩატარდა საველე-გეოლოგიური ექსპედიციები მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლის და ქვემო ქართლის ტერიტორიის ფარგლებში, საიდანაც მოპოვებული იქნა მდიდარი ქვიური მასალა, რომელიც ამჟამად თანამედროვე აპარატურის გამოყენებით, ლაბორატორიული შესწავლის პროცესშია. კვლევის ამ ეტაპზე იდენტიფიცირებული იქნება ბუნებრივი და ტექნოგენური რადიონუკლიდების ფონური შედგენილობა და განსაზღვრული იქნება რადიოაქტივობა აღმოსავლეთ საქართველოს დასახელებული რეგიონების ტერიტორიის ნიადაგ-გეოლოგიური სტრუქტურების ძირითად ტიპებში; მიღებული შედეგების საფუძველზე შედგება გარდამავალი ანგარიში და სტატია საერთაშორისო რეცენზირებად და რეფერირება ჟურნალში წარსადგენად.

2	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	ვულკანური ეკოსისტემები გეოლოგია, ვულკანოლოგია	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	**პროფესორი ბ.თუთბერიძე**	**ბ.თუთბერიძე** **მ.ახალკაციშვილი** მ.მაქაძე /მაგისტრანტი/ ნ.კობახიძე /მაგისტრანტი/

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)
პროექტი „ვულკანური ეკოსისტემები“ ითვალისწინებს სამხრეთ საქართველოს მთიანეთის ტერიტორიაზე ვულკანური ამოფრქვევების ცალკეულ ეპიზოდში ბიოტისა და აბიოტური კომპონენტების ცვალებადობის შეფასებას; პროექტის ამოცანის გადაწყვეტის მიზნით აღნიშნული რეგიონის ტერიტორიაზე ჩატარდა ვულკანური კონუსების, კრატერების, კალდერების, ვულკანოგენურ-დანალექი წარმონაქმნების, ლავური განფენების, და ნაკადების აღწერა და ფოტოგრაფირება; ვულკანური და პოსტვულკანური-ჰიდროთერმული პროცესების ზემოქმედებით გამოწვეული შეცვლილი ზონების აღწერა და ფოტოგრაფირება; გოდერძის წყების მძლავრ ვულკანოგენურ-დანალექი ქვეწყებიდან ბიოტური ნაშთების მოპოვება (გოდერძის უღელტეხილისა და ქისათიბის ტერიტორიის ფარგლებში და სხვ); გამოყენებული იქნა აეროფოტოსურათების დეშიფრირებისა და GPS მეთოდები. ექსპედიციის პერიოდში მოპოვებული მდიდარი ფლორისტული და ფაუნისტური ნაშთების აღებით დადგინდა ზოგი სრულიად ახალი სახეები (აღწერა ჩატარდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის პალეობიოლოგიის ინსტიტუტში); მიღებულ შედეგებს ექნება დიდი მნიშვნელობა ვულკანური ამოფრქვევებით გამოწვეული ეკოსისტემების ცვლილებების დადგენის მიმართულებით, ასევე დიდ დახმარებას გაუწევს ფლორისა და ფაუნის შესწავლით დაინტერესებულ მკვლევარებს;

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ბ.თუთბერიძე	მაგმური ქანების პეტროლოგია კრისტალოოპტიკის საფუძვლებით	მზადდება გამოსაცემად	
ანოტაციები ქართულ ენაზე				
დასრულების პროცესშია მაგმური ქანების პეტროლოგიის კურსის სახელმძღვანელო კრისტალოოპტიკის საფუძვლებით, სტუდენტებისათვის რომლებიც სპეციალიზირდებიან გეოლოგიური აგეგმვისა და სასარგებლო წიაღისეული საბადოების ძებნა–ძიების მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ დარგში სილაბუსის მოთხოვნის შესაბამისად ქართულ ენაზე ამ ტიპის სახელმძღვანელო არ არსებობს. მასში განხილულია: მაგმური ქანების მინერალური და ქიმური შედგნილობის თავისებურებანი, წარმოშობის პირობები, კლასიფიკაციისა და მონეკლატურის საითხები, სტრუქტურულ-ტექსტურული თავისებურებებანი, დედამიწის ქერქში დროსა და სივრცეში გავრცელებისა და განაწილების კანონზომიერებანი, მასთან დაკავშირებული სასარგებლო წიაღისეული საბადოების ფორმირებისა და პრაქტიკული გამოყენების სფეროები. მაგმური ქანების კვლევის თანამედროვე პეტროგრაფიული, პეტროქიმიური და კრისტალოპტიკური კვლევის მეთოდები; მაგმის წარმოშობისა და მაგმური მდნარის ევოლუციის თეორიებიდა სხვ.			
№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	კ. აქიმიძე	მინერალოგიურ-პეტროგრაფიული კვლევის მეთოდები	მზადდება გამოსაცემად	
ანოტაციები ქართულ ენაზე				

მზადდება ორიგინალური ქართულენოვანი სახელმძღვანელო ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისათვის. მასში განხილული იქნება მაგმური და მეტამორფული კომპლექსების საველე (ჭრილების შედგენის, პალეორეკონსტრუქციების, ტექსტურულ-სტრუქტურული მახასიათებლების და მეტამორფიზმის ხარისხის დადგენის, ქვიური მასალის აღებისა და სხ.), ლაბორატორიული (ჰომოგენიზაცია-დეკრიპიტიზაციის, თერმული, რენტგენოსტრუქტურული, იმერსიული, სპექტროსკოპული, მასპექტოსკოპულ-მასპექტომეტრული და ატომურ-აბსორბციული კვლევის, სპექტრული და სილაკატური ანალიზის) და კამერალური (პეტროქიმიური, მიკროსკოპული) კვლევის მეთოდები; აგრეთვე ამ მეთოდებით მიღებული მონაცემების გამოყენების წესები და თანმიმდევრობა აღნიშნული კომპლექსების პეტროლოგიური შეაწავლის დროს.

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2	გ.ღონღაძე მ.ახალკაციშვილი	გეოლოგიის საფუძვლები	მზადდება გამოსაცემად	
ანოტაციები ქართულ ენაზე				
გამოსაცემად მზადაა სახელმძღვანელო „გეოლოგიის საფუძვლები” /მეორე გამოცემა/. წიგნში განხილულია გეოლოგიური მეცნიერების უმთავრესი მიმართულებები, დედამიწისა და მისი ქერქის აგებულება, დედამიწის ქერქის ნივთიერი შედგენილობა /მინერალები, ქანები/, დედამიწის შიგნეთში და მის ზედაპირზე მიმდინარე გეოდინამიური პროცესები. წიგნში გადმოცემულია დედამიწის გეოლოგიური განვითარების ისტორია.				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1 2 3 4	ვ. აბაშიძე, თ. ცაგურია, ე. საყვარელიძე, **გ. ქუთელია**	კიდევ ერთხელ თბილისის საყრდენი გრავიმეტრიული პუნქტისა და საეტალონო პოლიგონის შესახებ. (რუსულ ენაზე) საქართველოს გეოფიზიკური საზოგადოების ჟურნალი ტომი LXV. გვ. 3-18. 2015	ტომი 18	თბილისი (იბეჭდება)	6
ანოტაციები ქართულ ენაზე					
შესწავლილია საყრდენი გრავიმეტრიული პოსტამენტის მდგრადობის ხარისხი, რომელიც განთავსებულია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოფიზიკის ლაბორატორიაში. უწყვეტი დაკვირვება ტარდებოდა ორი წლის განმავლობაში მაღალი სიზუსტის ორკოორდინატიანი დახრილმზომით, ავტომატურ რეჟიმში. დადგინდა, რომ პოსტამენტი ძირითადათ ინარჩუნებს მდგრად მდგომარეობას, თუმცა აღინიშნება დახრის მცირე ტენდენცია ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით და შეადგენს 20 კუთხურ სეკუნდს.					
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3 4	E. Sakvarelidze, I. Amanatashvili, **G. Kutelia,** V. Meskhia	Thermal Field of the Caucasian Region. Journal of the Georgian Geophysical Society. Physics of the Solid Earth. Vol. 2015	ტომი 18A	თბილისი (იბეჭდება)	7
ანოტაციები ქართულ ენაზე					
გამოქვეყნებულია კავკასიის თერმული ველის შესწავლის შედეგები					
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**ბ.თუთბერიძე**	ვარძიის სამონასტრო კომპლექსის გეოლოგია და პრობლემები, თსუ მეცნიერება	#7	თბილისი, თსუ	2
ანოტაციები ქართულ ენაზე					

დღეისათვის სამთავრობო დონეზე არსებულ ვარძიის სამონასტრო კომპლექსის გადარჩენისა და განვითარების სახელმწიფო პროგრამის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი კომპონენტი არის ქვათა ცვენის პრევენციული სარეაბილიტაციო-საკონსერვაციო სამუშაოების განხორციელების მიმართულება; ამ მიმართულებით სტატიაში მოცემულია ვარძიის სამონასტრო კომპლექსის ზოგადი გეოლოგიურ დახასიათება და კომპლექსის ამგები ქანების დეტალური პეტროლოგიურ კვლევის შედეგები; გამოთქმულია რეკომენდაციები პრევენციული ღონისძიებების ჩატარების აუცილებლობის შესახებ გეოლოგიური ხასიათის ბუნებრივი საფრთხეების განვითარებისა და მოქმედების თავიდან აცილების მიზნით.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3 4 5	ა.ოქროსცვარიძე, **კ.აქიმიძე,** ნ.გაგნიძე, ა.აქიმიძე, დ.ბლუაშვილი	აღმოსავლეთ კავკასიონის საქართველოს სეგმენტის მადანგამოვლინებები: ახალი კვლევის შედეგები. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	ტ. 9 №1 2015	თბილისი,	9

ანოტაციები ქართულ ენაზე

ავტორების მიერ შესწავლილი იქნა უკვე ცნობილი თებულოს (ქვახიდის), ილურთის, საცხვრე ხორხის, აბანოს, ქვაჩადალის, ართანის, ლოდუანის, ჩელთის, შაროხევის და არეშის მადანგამოვლინებები. ამასთან ერთად, მიკვლეული იქნა ახალი საინტერესო მადანგამოვლინებები მდ. სტორის ჰიდროთერმულად შეცვლი მძლავრ ზონში (სპილენძ-პიროტინინიანი და თორიუმიანი) და სოფელ ლეჩურთან-კოლჩედანურ-პოლიმეტალური.

აღსანიშნავია, რომ რეგიონში პირველად დაფიქსირდა ოქროს ამაღლებული კონცენტრაციები გელიას, ართანის და თებულოს მადანგამოვლინებებში. ჩატარებულმა სამუშაოებმა გვიჩვენა, რომ ფერადი მეტალების გამადნებების ჰიდროთერმულ ტიპში მადნების შემადგენლობას განსაზღვრავს გენეტური დასივრცითი კავშირი მაგმური კერასა და მადნის ფორმირების არეალს შორის. კერძოდ, თუ ისინი ახლოს არიან ერთმანეთთან - ფორმირდება სპილენძ-პიროტინულილი მადნები, ხოლო თუ მოცილებულნი არიან- კოლჩედანურ-პოლიმეტალური.

II. 2. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2	**ბ.თუთბერიძე** **მ.ახალკაციშვილი**	Low-Temperature Hydrothermal Alternation of Dolerites from the Djavakheti Plateau	No: ERT2015-1765	http://www.atiner.gr/papers/ERT2015-1765.pdf	12

		(Georgia), Athens: ATINER'S Conference Paper Series			

ანოტაციები ქართულ ენაზე

სტატიაში განხილულია ჯავახეთის ვულკანური ზეგნის უკიდურეს აღმოსავლეთი ნაწილის გვიანპლიოცენურ ადრე პლეისტოცენური ასაკის დოლერიტებში გამოვლინებული ჰიდროთერმული შეცვლის ზონები- წარმოდგენილი დაბალტემპერატურული მინერალთა აცოციაციით; Ca და Na–Ca ცეოლითებით (შაბაზიტი ტომსონიტი); კალციტით, სმექტიტებით, პუმპელიითით და ორგანულ (ნახშიროვანი) ნივთიერებით.

მეორად მინერალთა იდენტიფიკაცია მოხდა ქიმიური, ოპტიკური, X-ray by Diffraction (XRD) და გეოქიმიური კვლევის მეთოდებით გამოყენებით. სტატიაში დეტალურად არი მოცემული ჰიდროთერმულად შეცვლილ ზონის მინერალთა მაკროსკოპული და მიკროსკოპული დახასიათება, და წარმოშობის თერმოდინამიკური პირობები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2	თუთბერიძე ბ. წუწუნავა თ.	Geological Problems of the Cave Monastery Complex of Vardzia (Georgia) Engineering Geology for Society and Territory)	Volume 8	http://www.springer.com/us/book/9783319094076	5

ანოტაციები ქართულ ენაზე

სტატიაში განხილულია ვარძიის სამონასტრო კომპლექსის ენდოგენური და ეგზოგენური გეოლოგიური პროცესებით გამოწვული პრობლემები, რომელიც საფრთხეს უქმნის ძეგლის არსებული სტრუქტურის შენარჩუნებასა და დამთვალიერებლების უსაფრთხოებას. ვარძიის სამონასტრო კომპლექსის ნგრევისაგან გადარჩენის მიზნით, გამოთქმულია რეკომენდაციები, იმ პრევენციული სამუშაოების ჩატარების აუცილებლობის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფენ სამონასტრო კომპლექსის ციცაბო ფერდობზე ვულკანური ბრექჩიების წონასწორობის მდგრადობის შენარჩუნებას და ენდოგენური და ეკზოგენური გეოლოგიური პროცესების მოქმედების დინამიკის შეფასებას

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის / კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3 4 5 6 7 8	შ.ადამია ტ.ჩხოტუა თ.ღავთაძე **ზ.ლებანიძე** ნ.ლურსმანაშვილი ნ.სადრაძე დ.ზაქარაია გ.ზაქარიაძე	Tectonic Setting of Georgia-Eastern Black Sea: a review. In: Tectonic Evolution of Eastern Black Sea and Caucasus	428	Geological Society, London, Special Publications, 2015	46

ანოტაციები ქართულ ენაზე

საქართველო და მიმდებარე არე პალეოზოურ-ადრეკაინოზოურში წარმოადგენდა ოკეანე ტეთისის და მისი ჩრდილო კიდის ნაწილს. პრეკოლიზიურ ეტაპზე გამოიყოფა აღმ. ევროპის კონტინენტის სამხრეთი კიდის გასწვრივ განლაგებული კუნძულთარკალური და რკალსუკანა სტრუქტურების სისტემები და ოკეანური აუზი. სუპრასუბდუქციური მაგმატური აქტივობის და ოკეანური ქერქის ფრაგმენტების ობდუქციის მრავალ შემთხვევას ჰქონდა ადგილი პალეოზოურის, მეზოზოურის და ადრეკაინოზოურის განმავლობაში. IRG და DARIUS პროექტების ფარგლებში მოპოვებული ახალი მონაცემები ქმნიან სამხრეთ კავკასიის და მიმდებარე ტერიტორიების უფრო ზუსტი ტექტონიკური ზონირების, ამ ზონების კორელაციის და რეგიონის უკეთ დასაბუთებული მეზოზოურ-ადრეკაინოზოური პალეოტექტონიკური რეკონსტრუქციების საფუძველს. ოკეანური და რკალსუკანა აუზების საბოლოო დახურვა და საქართველოს და მიმდებარე ქვეყნების თანამედროვე სტრუქტურების ფორმირება დასრულდა გვიანკაინოზოურში. აფრიკა-არაბეთის და ევრაზიის ფილების კოლიზიამ გამოიწვია რელიეფის ინვერსია და რკალთაშორისი და რკალსუკანა აუზების ადგილზე ჩამოყალიბდა კავკასიონის და მცირე კავკასიონის ნაოჭა-შეცოცებითი სარტყელები ამიერკავკასიის მთათაშუა დეპრესიით მათ შორის. საქართველოს ზღვიური აუზები შეიცვალა ევქსინური ტიპის, მოგვიანებით კი სუბაერული სედიმენტაციის და ვულკანიზმის კონტინენტური აუზებით.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2	**ბ.თუთბერიძე** **მ.ახალკაციშვილი**	ჰიდროთერმალური მინერალიზაციის პროცესი და მათი გამოვლინების გეოლოგიური პირობები ჯავახეთის ზეგნის გვიანკაინოზოურ დოლერიტებში	2-7 თებერვალი, თბილისი, http://conference.ens-2015.tsu.ge/
მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე			
განხილულია ჯავახეთის ზეგნის გვიანპლიოცენურ-ადრეპლეისტოცენური ასაკის დოლერიტეულ ლავურ ნაკადებში დადგენილი პოსტვულკანური მინერალიზაციის პროცესები. ამ მხრივ საინტერესო აღმოჩნდა მდ. ფარავნის ხეობისა (ახალქალაქის პლატო) და ჯავახეთის ზეგნის უკიდურეს აღმოსავლეთ დაბოლოებაზე (გომარეთის პლატო) განვითარებული ზოგიერთი დოლერიტული ლავური ნაკადი, რომელებშიაც ჰიდროთერმული მინერალიზაციის პროცესი ასოცირდება ქანში არსებულ ვეზიკულებთან, აშლილობისა და მსხვრევის ზონებთან; შეცვლილი ზონები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან მინერალთა პარაგენეზისით. კერძოდ მდ.ფარავნის ზონა მარტივი-პრაქტიკულად მონომინერალური შედგენილობისაა და წარმოდგენილია არაგონიტისა და დოლომიტის მინერალიზაციით; გომარეთის პლატოს ჰიდროთერმალურად შეცვლილი ზონა შედარებით მრავალფეროვანია: ცეოლითები (შაბაზიტი, ტომსონიტი), მონტმორილონიტი, პუმპელიიტი, ქლორიტი. მინერალთა დიაგნოსტიკისათვის გამოყენებული იქნა: მიკროსკოპიული, სრული სილიკატური ქიმიური ანალიზის, ინფრაწითელი, რენტგენოსტრუქტურული (X-ray) და თერმული (DTG, DTA) ანალიზის ლაბორატორიული კვლევის		

მეთოდები.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3 4 5	**კ. აქიმიძე,** **ბ. თუთბერიძე,** თ. ჯგუშია, ა. სხილაძე, გ.ხაჭაპურიძე	ალაზანგაღმა კახეთის ადრეიურული ვულკანიზმის პროდუქტების პეტროლოგია და მათი საამშენებლო და მოსაპირკეთებელ ქვებად გამოყენების პერსპექტივები (მდ. სტორის აუზის მაგალითზე)	2-7 თებერვალი, თბილისი, http://conference.ens-2015.tsu.ge/

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

მდინარე სტორის შუაწელში გამოვლენილი და შესწავლილი პლინსბახ-ტუარსული ვულკანური კომპლექსი, როგორც თავისი პარამეტრებითა და ფიზიკო-მექანიკური თვისებებით, ისე დეკორატიული მახასიათებლებით-სამშენებლო და სანახელავო ნაწარმის ნედლეულის ისეთ დანაგროვებს წარმოადგენს, რომლის ბაზაზეც შეიძლება შეიქმნას მძლავრი ქვის მომპოვებელი და გადამამუშავებელი საწარმო.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**გ.ქუთელია** **ე.საყვარელიძე**	თბილისის საყრდენი გრავიმეტრიული პუნქტის პოსტამენტის მდგრადობის შემოწმება	2-7 თებერვალი, თბილისი, http://conference.ens-2015.tsu.ge/

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

კვლევის მიზანია საყრდენი გრავიმეტრიული პუნქტის პოსტამენტის მდგრადობის ხარისხის შესწავლა, რომელიც განთავსებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოფიზიკის ლაბორატორიაში. პოსტამენტზე განთავსდა მაღალი, 0.02 კუთხური სეკუნდის სიზუსტის Applied Geomechanics ფირმის ორკოორდინატიანი დახრილმზომი. დაკვირვება ტარდებოდა ორი წლის განმავლობაში, ავტომატურ უწყვეტ რეჟიმში. დადგინდა, რომ პოსტამენტი ძირითადათ მდგრადია, თუმცა აღინიშნება დახრის მცირე ტენდენცია (20 კუთხური სეკუნდი) ჩრდილო- აღმოსავლეთის მიმართულებით. მიზეზის დასადგენად მოხდა დახრის შედარება ტემპერატურისა და ატმოსფერული წნევის მონაცემებთან. როგორც კორელაციურმა ანალიზმა აჩვენა კავშირი დახრას, ტემპერატურასა და წნევას შორის ფაქტობრივად არ არსებობს. როგორც ჩანს, პოსტამენტი საკმაოდ მდგრადია და მისი დახრა გამოწვეულია დედამიწის ქერქის მიკროდეფორმაციებით, რომლებმაც ნებისმიერ მომენტში შეიძლება ნიშანი შეიცვალოს.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**ზ.ლებანიძე**	მდ. არაგვის აუზის ქვედაცარცული ნალექების სედიმენტოლოგიური და პალეოიქნოლოგიური კვლევა	2-7 თებერვალი, თბილისი, http://conference.ens-2015.tsu.ge/

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

მდ.არაგვის აუზის ქვედაცარცული ნალექები შედგენილობისა და მასალის წყაროს მიხედვით,

ხასიათდებიან რა ფლიშისთვის დამახასიათებელი ყველა თვისებით, წარმოადგენენ ერთიან ფლიშურ ფორმაციას, რომელშიც განირჩევა კლასტურ–კირქვიანი (ბერიასულ–ვალანჟინური და ალბური) და გრაუვაკურ–ალევრიტული (ჰოტრივულ–აპტური). ბიოგლიფები ძირითადად წარმოდგენილია იქნოგვარების Chondrites (2 იქნოსახე), Gyrophyllites (1იქნოსახე) და Scolicia (1 იქნოსახე). აღნიშნული ორგანიზმები წარმოადგენენ მეორე (ღრმა) დონის ბიოტურბატორებს, რომელთა მიერ, როგორც სჩანს, გადამუშავებულია ზედა დონის ბიოტურბატორთა ნაკვალევები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ტურბიდული ნაკადების დალექვას შორის საკმაო ხარვეზს ჰქონდა ადგილი.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	კ.ქოიავა	ართვინ-ბოლნისის ზონის პალეოგენური ნალექების იქნოლოგიური შესწავლა	2-7 თებერვალი, თბილისი, http://conference.ens-2015.tsu.ge/
მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე			

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2	**ბ.თუთბერიძე** **მ.ახალკაციშვილი**	Low-Temperature Hydrotermal Alternation of Dolerites from the Djavakheti Plateu (Georgia), Annual International Conferences on Earth, Geology and Geography	ათენი, საბერძნეთი 1-4 ივნისი 2015 http://www.atiner.gr/earth.htm
მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე			
სტატიაში განხილულია ჯავახეთის ვულკანური ზეგნის უკიდურეს აღმოსავლეთი ნაწილის გვი-ანპლიოცენურ ადრე პლეისტოცენური ასაკის დოლერიტებში გამოვლინებული ჰიდროთერმული შეცვლის ზონები- წარმოდგენილი დაბალტემპერატურული მინერალთა აცოციაციით; Ca და Na–Ca ცეოლითებით (შაბაზიტი, ტომსონიტი); კალციტით, სმექტიტებით, პუმპელიტით და ორგანულ (ნახშიროვანი) ნივთიერებით. მეორად მინერალთა იდენტიფიკაცია მოხდა ქიმიური, ოპტიკური, X-ray by Diffraction (XRD) და გეოქიმიური კვლევის მეთოდებით გამოყენებით. სტატიაში დეტალურად არი მოცემული ჰიდროთერმულად შეცვლილ ზონის მინერალთა მაკროსკოპული და მიკროსკოპული დახასიათ-ება, და წარმოშობის თერმოდინამიკური პირობები			
№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3	თ. ბერიძე **ზ. ლებანიძე** **კ. ქოიავა** რ. ჩაგელიშვილი ნ. ხუნდაძე	The first evidence of trace fossils in upper Eocene sediments of Tbilisi environs and their geological significance	31st IAS Meeting of Sedimentology კრაკოვი, პოლონეთი 22–25 ივნისი, 2015წ.

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

თბილისის მიდამოები მდებარეობს აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის აღმოსავლეთ სეგმენტში. ზედაეოცენური იქნოფაუნის ადგილსამყოფელი დადგენილია თბილისიდან ჩრდილო-დასავლეთით 5კმ-ში, სოფ. ლისის მიდამოებში და დაკავშირებულია ლისის ანტიკლინის თაღურ ნაწილთან, რომელიც აგებულია თიხის ფენებისა და მერგელების იშვიათი შუაშრეების შემცველი ქვიშაქვებისა და ფიქლებრივი თიხების მონაცვლეობით. შეიცავს მცენარეულ ნაშთებს, ფხვიერი ქვანახშირის მცირე ლინზებს. ქვიშაქვებში დადგენილია *Nummulites fabianii Prev.* წყების სიმძლავრე 1000 -1500 მ-ია.

თბილისის წყების იქნოკომპლექსში ჩვენს მიერ პირველად იქნა დადგენილი შემდეგი იქნოგვარების: *Planolites Nicholson, Chondrites Sternberg, Rhizocorallium Zenker, Zoophycos Massalongo, Paleodictyon* (ორი იქნოსახე: *P. cf minimum Sacco* and *P. cf strozzii Meneghini*) წარმომადგენლები. დ. ზეილაჰერის ნამარხი ნაკვალევების ბათიმეტრიულიზონალობის სქემის თანახმად, ლისის იქნოკომპლექსი შეიცავს შელფური *Cruziana* – ის (*Rhyzocoralium*), ბათიალური *Nereites*-ის*(Paleodictyon*), მათ შორის გარდამავალი *Zoophycos*-ის*(Zoophycos*) და დაბალ-ოქსიგენური გარემოს მაჩვენებელი *Chondrites*-ის (*Chondrites*) ფაციესის დამახასიათებელ ფორმებს.

ზედაეოცენის ზედა ნაწილისგან განსხვავებით, ლისის ანტიკლინის ოლიგოცენური ნალექები აბსოლუტურად მოკლებულია ბიოტურბაციის კვალს. ეს ადასტურებს მოსაზრებას, რომ მაიკოპური სერიის დალექვის დროს (ოლიგოცენ-ქვედამიოცენური), აუზის ფსკერი მოწამლული იყო გოგირდწყალბადით და გარემო არახელსაყრელი იყო ბენთოსური ორგანიზმების განსახლებისთვის. თბილისის მიდამოების ჩრდილო და დასავლეთ ნაწილებში ნუმულიტებიანი წყების ზედა საზღვარი ოლიგოცენურ ნალექებთან ძნელი გასავლები იყო, ვინაიდან ეს ორი ასაკობრივად განსხვავებული წარმონაქმნი შეხების ზოლში ლითოლოგიურად მსგავსია. შესაბამისად, ზედაეოცენურ იქნოფაუნას დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონის სტრატიგრაფიის თვალსაზრისით. საზღვარი ეოცენსა და ოლიგოცენს შორის უნდა გატარდეს იქნოფაუნის შემცველი ყველაზე ახალგაზრდა შრეების სახურავზე.

ლისის იქნოფაუნა საინტერესოა პალეოგეოგრაფიული თვალსაზრისითაც. მარჩხწყლიანი გარემოსთვის დამახასიათებელი *Rhizocorallium*-ების არსებობა გვაფიქრებინებს, რომ ადგილსაპოვებლის დასავლეთით მდებარე, ანტიკლინის ცენტრალური, აზევებული ნაწილი ხმელეთს წარმოადგენდა. ეს დასტურდება აგრეთვე ლისის ანტიკლინის სამხრეთ ფრთაში, ქვედაოლიგოცენურ ნალექებში ხმელეთის ხერხემლიანის ნაშთების პოვნით (ლ. გაბუნია). ხმელეთის და ზღვის საზღვრის ზუსტი გატარება და სედიმენტოლოგიური გარემოს დეტალური აღდგენა ჩვენი მომავალი კვლევების საგანი იქნება.

ამრიგად, პალეოიქნოლოგიური კვლევები მნიშვნელოვანია არამარტო პალეონ- ტოლოგიური, პალეოეკოლოგიური და სედიმენტოლოგიური თვალსაზრისით, არამედ რეგიონული გეოლოგიის რიგი საკითხების გადაწყვეტისთვისაც.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული

სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები

ბიოფიზიკისა და ბიონანომეცნიერებების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი:
  დიმიტრი ე. ხოშტარია, ფიზ. ქიმ. მეცნ. დოქტ. თსუ ბიოფიზიკის ლაბორატორიის გამგე, თსუ მოწვეული პროფესორი

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:
  ნინო შენგელია, თსუ პედაგოგი, ბიოლ. აკად. დოქტ.
  თამარ ფარცხალაძე, თსუ ინჟინერი, ფიზ. აკად. დოქტ.
  ტატიანა ტრეტიაკოვა, თსუ დოქტორანტი (დისერტაცია წარდგენილია თსუ შესაბამის საბჭოზე).

ინსტიტუტის შტატგარეშე თანამშრომლები თანამონაწილე ორგანიზაციიდან (ბიოფიზიკის განყოფილება, ი. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი):
თინათინ დოლიძე, ქიმ. მეცნ. დოქტ.
მაია მახარაძე, ბიოლ. აკად. დოქტ.
მიხეილ შუშანიანი, ფიზ. აკად. დოქტ.
სოფიო უჩანეიშვილი, ბიოლ. აკად. დოქტ.

I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	**გლობულური ცილების ენერგეტიკული ბუნება: კვანტური ეფექტების და კონფორმაციული ფლექსიბილობის როლი და**	**შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნ. ფონდი** (ფონდის მიერ დასახელდა ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ დასრულებულ	**დიმიტრი ხოშტარია**	**დ. ხოშტარია** **ნ. შენგელია** **თ. ფარცხალაძე** **ტ. ტრეტიაკოვა** **თ. დოლიძე** **მ. მახარაძე** **მ. შუშანიანი** **ს. უჩანეიშვილი**

	გამოვლინება ფუნქციასა და სტაბილობაში; თსუ წარმოადგენდა თანამონაწილე ორგანიზაციას; მიმართულება ბიოფიზიკა და ბიონანომეცნიერება (დარგები: ფიზიკა, ბიოლოგია).	პროექტად).		(პროექტოს შემსრულებელი ძირითადი ორგანიზაცია: ი. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი).

დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

ამ პროექტის ფარგლებში ტარდებოდა, ერთის მხრივ, კვლევისთვის ადრე აპრობირებული ობიექტების - გლობულური ცილების შემდგომი ჩაღრმავებული კვლევა როგორც ეხსპერიმენტული, ისე თეორიულ/კომპიუტერული მეთოდების და მიდგომების გამოყენებით; მეორეს მხრივ, დაიგეგმა და განხორციელდა სტრუქტურულად და ფუნქციურად სრულიად ან ნაწილობრივად განსხვავებული ჟანგვა-აღდგენითი ფუნქციის მქონე ცილების,, ასევე ბიომიმეტიკური სენსორული ობიექტის - თვითაწყობად ფირში „ჩაჭერილი“ სპილენძის იონების მონაწილეობით ელექტრონული გადასვლების ჩაღრმავებული კვლევები. მიღებული შედეგები და მათი ეფექტი მოცემულია ქვევით, კვლევის ობიექტების მიხედვით:

(A) α-ქიმოტრიპსინის (α-CT) შემთხვევაში შესწავლილი იყო დუალისტური ბუნების ორგანული ნივთიერების, დიმეთილსულფოქსიდის (DMSO) დანამატების გავლენა ამ ცილა-ფერმენტის როგორც კატალიზურ აქტივობაზე, ისე თერმოდინამიკურ სტაბილობაზე, გარემოს pH-ის ორი განსხვავებული მნიშვნელობისას. კვლევებმა დაადგინა α-CT-ზე DMSO-ს დანამატების ზეგავლენის რთული ბუნება, რომელიც გარემოს pH-ის 8.3 მნიშვნელობის დროს გამოვლინდა, ამ ნივთიერების ზემოქმედების დუალისტურ, დანამატის მცირე კონცენტრაციების პირობებში მასტაბილებელ, ხოლო შემდგომ - მადესტაბილებელ ხასიათში. ასევე შესწავლილი იყო α-CT სტაბილობაზე ახალი ტიპის ორგანული - პროტონული მარილის, ქოლინ დიჰიდროგენ ფოსფატის ([ch][dhp]) დანამატების გავლენა; გამოვლენილ იქნა ცილის თერმოდინამიკური სტაბილიზაციის საგულისხმო ეფექტი.

(B) ქ. ერლანგენის (გერმანია) და პიტსბურგის (აშშ) უნივერსიტეტებთან უკვე ტრადიციული სამეცნიერო თანამშრომლობის ფარგლებში, ციკლური ვოლტამპერომეტრიის მეთოდით შესწავლილი იყო ელექტროდთან ელექტრონის მიმოცვლა რედოქს-აქტიური ცილის აზურინის (Az) მონაწილეობით. Az იმობილიზებული იყო Au-ელექტროდებზე დატანილ ალკანთიოლის ფირებზე. ექსპერიმენტული კვლევა ამჯერად ტარდებოდა [ch][dhp]-ის დანამატების მაღალი (90 წონით %-მდე) კონცენტრაციის პირობებში (ზებლანტ გარემოში), როდესაც ცილის გარემოცვაში დანამატის ერთ იონ-წყვილზე მოდის წყლის მხოლოდ 1-2 მოლეკულა. ამ დანამატის კონცენტრაციის, ასევე გარემოს ტემპერატურის და წნევის ვარირების ხარჯზე, ელექტრონის მიმოცვლის პროცესის დინამიკური მახასიათებლები იცვლებოდა უაღრესად ფართო დიაპაზონში, რამაც მოგვცა საშუალება პირველად მეცნიერების ისტორიაში დაგვეფიქსირებინა შინაგანი ფიზიკური მექანიზმების ახალი ტიპის ურთიერთგარდასახვები ცილის და მისი გარემოს ფაქტობრივად მინისებურო მდგომარეობასთან მიახლოებულ პირობებში.

(C) ქ. ერლანგენის (გერმანია) უნივერსიტეტთან ერთობლივად, ციკლური ვოლტამპერომეტრიის მეთოდით ჩვენ ასევე შევისწავლეთ Au-ელექტროდზე დატანილ ალკათიოლის ფირებზე იმობილიზებული, ან თავისუფალი დიფუზიის რეჟიმში მყოფი მიოგლობინის (Mb) ელექტროდთან ელექტრონების მიმოცვლის ფიზიკური მექანიზმები. გარემოს ტემპერატურის და

წნევის ვარირების პირობებში ჩატარებული სისტემატური კვლევების ხარჯზე დადგენილ იქნა, რომ ელექტროდებზე დატანილ ალკანთიოლურ ფირებთან Mb-ის ურთიერთქმედების სიძლიერე, ანუ Mb-ის მაკრომოლეკულის კონფორმაციული ძვრადობის (დინამიკის) ხარისხი არსებითად განაპირობებს Mb-ის ბიომოლეკულის მონაწილეობით მიმდინარე ელექტრონების მიმოცვლის პროცესების ფიზიკურ ბუნებას: ხისტად იმობილიზებული Mb-ის შემთხვევაში ბიომოლეკულის კონფორმაციული ძვრადობის შეზღუდულობა ასევე ზღუდავს ელექტრონის გადასვლებთან შეუღლებული ლიგანდის (ამ შემთხვევში, წყლის მოლეკულის) გადაადგილებებს. შესაბამისად, ელექტრონის გადასვლა ხდება ადვილად და სწრაფად. ხოლო, იმ შემთხვევაში, როდესაც Mb „თავისუფალია“, ე.წ. კოორდინირებული წყლის მოლეკულა აქტიურად მონაწილეობს პროცესში და, შესაბამისად, „ამუხრუჭებს“ ელექტრონების მიმოცვლის სიჩქარეს.

(D) ქ. გრინსბოროს (აშშ) უნივერსიტეტთან ერთობლივად, ციკლური ვოლტამპერომეტრიის მეთოდით აგრეთვე შესწავლილი იყო გრაფიტის (GC) ელექტროდებზე დატანილ, თავის მხრივ, პოლიმერების საშუალებით გააქტივებულ ნახშირბადის ნანომილაკებზე (CNT) იმობილიზებული ცილა-ფერმენტის, გლუკოზ ოქსიდაზის (GOx) ელექტრონული მიმოცვლა GC ელექტროდებთან. GOx-ის ბიოლოგიური ფუნქცია, საერთო ჯამში, უფრო რთულია, ვიდრე მხოლოდ ელექტრონების გადატანა (მიმოცვლა). მისი ბუნებრივი სუბსტრატის, გლუკოზის არყოფნის შემთხვევაში, მისი აქტიური კო-ფაქტორი ფლავინ ადენინ დინუკლეოტიდი (FAD) მონაწილეობს ელექტროდთან ერთდროულად ორი პროტონის გადასვლებთან შეუღლებულ ორი ელექტრონის მიმოცვლის პროცესში. ჩვენმა კვლევებმა აჩვენა, რომ ხდება გააქტივებული CNT-ბოლოების (ფაქტობრივად, ნანოელექტროდების) შეღწევა GOx-ის აქტიურ ცენტში და FAD-ის კო-ფაქტორთან უშუალო დაახლოება (Direct “Wiring”), ხოლო შემდგომ ხორციელდება რნიშნული შეუღლებული პროცესი.

(E) ასევე შესწავლილი იყო ბიომიმეტიკური ობიექტის - Au-ელექტროდზე დატანილ თვითაწყობად ფირში იმობილიზებული („ჩაჭერილი“) სპილენძის იონების მონაწილეობით ელექტროდთან ელექტრონული მიმოცვლის პროცესი, გარემოს ტემპერატურის და წნევის ვარირების პირობებში. კვლევებმა გამოავლინა ელექტრონის მიმოცვლის პროცესზე „მინისებური“ გარემოს ძლიერი არაერგოტიკული და არაწრფივი გავლენისთვის დამახასიათებელი ეფექტები.

(D) ასევე განხორციელდა Mb-ის და ქრომოფორული ლიგანდის, პროფლავინის (Pf) კომპლექსის წინასწარი კვლევა კომპიუტერული მოდელირების მეთოდის გამოყენებით, ამ ორ ობიექტს შორის ელექტრონის ფოტოფიზიკური გადატანის შემდგომი ექსპერიმენტული კვლევების პირობების დადგენის მიზნით. წინასწარმა კვლევამ გამოავლინეს ზემოაღნიშნული კომპლექსის გამოკვეთილი სტრუქტურა, რომელსაც კონფორმაციულ სივრცეში შეესაბამება კარგად გამოხატული ენერგეტიკული მინიმუმი.

საგრანტო პროექტის შედეგები გამოქვეყნდა მაღალრეიტინგულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში (7 სტატია, აქედან 3 – 2015 წ.), და მოხსენებების სახით წარმოდგენილი იყო საერთაშორისო ფორუმებზე (5 მოხსენება, აქედან 2 – 2015 წ.), ასევე ადგილობრიც ფორუმებზე (3).

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**D.E.**	**Electron transfer with**	**Journal of**	**IOP Publishing,**	**11**

	Khoshtariya T.D. Dolidze T. Tretyakova R. van Eldik	**self-assembled copper ions at Au-deposited biomimetic films: mechanistic 'anomalies' disclosed by temperature- and pressure-assisted fast-scan voltammetry.**	**Physics D: Applied Physics, 2015, Vol. 48, Paper: 255402 (11 pp.)**	**UK** (დიდი ბრიტანეთი).	**10**
2	**Y. Liu T.D. Dolidze S. Singhal D.E. Khoshtariya J. Wei**	**New evidence for a quasi-simultaneous proton-coupled two-electron transfer and direct wiring for glucose oxidaze captured by the carbon nanotube-polymer matrix.**	**Journal of Physical Chemistry C, 2015, Vol. 119, pp. 14900-14910.**	**American Chemical Society, USA** (აშშ).	**16**
3	**T.D. Dolidze M. Shushanyan D.E. khoshtariya**	**Electron transfer with myoglobin in free and strongly confined regimes: disclosing diverse mechanistic role of the Fe-coordinated water by temperature- and pressure-assisted voltammetric studies.**	**Journal of Coordination chemistry, 2015, Vol. 68, pp. 3164-3180.**	**Taylor & Francis, UK** (დიდი ბრიტანეთი).	

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. ლექტრონის გადატანა Au-ელექტროდებზე დატანილ ბიომიმეტიკურ ფირებში ჩაჭერილი სპილენძის იონების მონაწილეობით: მექანიზმური 'ანომალიების' გამოვლენა სწრაფი სკანირების ვოლტამეტრიის საშუალებით, ტემპერატურისა და წნევის ვარირების პირობებში.

ცნობილია, რომ კომპლექსურ, მინისებური მდგომარეობის წარმომქმნელ გარემოში, მაგალითად ბიომოლეკულებში, ელექტრონის გადატანის პროცესში, გარკვეულ ექსპერიმენტულ პირობებში, შესაძლებელია დავაკვირდეთ არაწრფივ და არაერგოდიკულ კინეტიკური ქცევას. მყარ, ელექტროგამტარ ზედაპირებზე (ელექტროდებზე) დატანილი თვითაწყობადი ორგანული ფირები, როგორც ცნობილია, ექვემდებარება მინისებური გადასვლების დინამიკას და, შესაბამისად, შეიძლება გახდეს წინაპირობა ზემოაღნიშნული 'ანომალიების' გამოვლინებისთვის. ჩვენ გამოვიყენეთ ოქროს ზედაპირზე დატანილი COOH-ჯგუფებით დაბოლოებულ

თვითაწყობად მონოშრეებში (შემადგენლობა: L- ცისტეინი და 2- მერკაპოეთანოლით განზავებული 3-მერკაპტოპროპიონის მჟავა) ჩაჭერილი ორვალენტიანი სპილენძის იონის ჟანგვა-აღდგენის უნარი და სწრაფი სკანირების ვოლტამეტრული ტექნიკის გამოყენებით სისტემატურად შევისწავლეთ მინისებური გარემოს დინამიკის გავლენა მუხტის გადატანის პროცესზე, სხვადასხვა ტემპერატურისა და წნევის პირობებში.
მიღებული კინეტიკური შედეგების ანალიზის საფუძველზე გაკეთდა დასკვნა, რომ შესაბამისი პარამეტრების 'ანომალური' ქცევა შეიძლება აიხსნას მარკუსის გაფრათოებული მოდელის ფარგლებში, იმის გათვალისწინებთ, რომ ახლო მანძილებზე მუხტის გადატანა ხდება გარემოს სიბლანტეზე არსებითად დამოკიდებული (ადიაბატური) მექანიზმის ხარჯზე, რომელსაც ასევე თან ახლავს გარემოს არაწრფივი და არაერგოდული ფაქტორების ერთობლიობა. ამ გარემოებათა ერთობლივი გავლენის მიზეზით, სავარაუდოდ, ადგილი უნდა ქონდეს მნიშვლელოვან გადახრებს მუხტის გადატანის სიჩქარის ელექტროდის პოტენციალის სიდიდეზე, ტემპერატურასა (არენიუსი) და წნევაზე ნორმალური დამოკიდებულებების რეჟიმიდან. მიღებული შედეგები ასევე შედარებული იქნა რედოქს-აქტიური ცილის, აზურინის მონაწილეობით ოქრიზე დატანილ ფირებში ელექტროდთან ელექტრონის მიმოცვლისთვის ადრე მიღებულ შედეგებთან; კინეტიკურ გამოვლინებათა მსგავშების გათვალისწინებით, გაკეთდა დასკვნა, რომ მოცემულ სამუშაოში შესწავლილი სისტემა შესაძლებელია განხილულ იქნა როგორც ბუნებრივი ჟანგვა-აღდგენითი ფუნქციის მქონე ცოლის (აზურინის) ბიომიმეტიკური მოდელი.

2. ახალი მონაცემები ნახშირბადის ნანომილაკებისა და პოლიმერული ბადის კომპლექსურ მატრიცაში ჩაჭერილი გლუკოზ ოქსიდაზის ნანომილაკთან უშუალო ელექტრონული ურთიერთკავშირისა და პროტონის გადატანასთან შეუღლებული კვაზი-სინქრონული ორი ელექტრონის მიმოცვლის მექანიზმის სასარგებლოდ.
ჩატარებულ იქნა გრაფიტის ელექტროდებზე დატანილი პოლიმერული ბადით დამუშავებული ერთკედლიანი, ნახშირბადის ნანომილაკთან დაკავშირებული გლუკოზ ოქიდაზის (GOx) და დამოუკიდებლად,, მისგან გამოცალკევებული კოფაქტორის - ფლავინ ადენინინ დინუკლეოტიდის (FAD) ელექტროდებთან მუხტის მიმოცვლის სისტემატური კვლევები ციკლიურ ვოლტამეტრიის მეთოდის გამოყენებით. GOx -ის და FAD-ისთვის მიღებული კინეტიკური მონაცემების შედარებითი ანალიზი განხორციელდა მარკუსის თეორიაზე დაფუძნებული ალგორითმული პროცედურის გამოყენებით. ანალიზის შედეგები მიუთითებს იმაზე, რომ GOx-ის და GOx-იდან იზოლირებული FAD-ის მექანიზმური ქცევა იდენტურია, მიუხედავად იმისა რომ ინტაქტური გლუკოზ ოქიდაზის შემთხვევაში FAD-ი ცილის წიაღში ღრმად არიოს ჩაფლული (გლუკოზ ოქიდაზის ინტაქტური სტრუქტურა დადასტურებულია გლუკოზის მიმართ გამოვლენილი სრული კატალიზური აქტივობის საფუძველზე). ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ გლუკოზ ოქიდაზის წიაღში განთავსებული FAD-ი უშუალოდ უნდა იყოს დაკავშირებული გრაფიტის ელექტროდთან, სავარაუდოდ ნახშირბადის ნანომილაკების საშუალებით, რომლებიც უშუალოდ აღწევენ (შედიან) GOx-ის აქტიურ ცენტრში და კონტაქტში იმყოფებიან GOx-ის ბიომოლეკულის შიგნით მოთავსებულ ორივე FAD-თან . მარკუსის ელექტრონულ-პროტონული გადასვლების განზოგადებული თეორიისა, და მოცემული სისიტემისათვის პირველად სხვადასხვა ტემპერატურაზე მიღებული ციკლიური

ვოლტამოგრამების საფუძველზე აგებული არენიუსის დამოკიდებულების საფუძველზე ჩატარებული ერთობლივი ანალიზის საფუძველზე დადგინდა ორი პროტონის გადატანასთან სეუღლებული, არაადიაბატური, ორი ელექტრონის კვაზი სინქრონული გადატანის (მიმოცვლის) მექანიზმის არსებობა.

3. ელექტრონის გადასვლები თავისუფლად დიფუნდირებადი და ზედაპირზე ხისტად ჩაჭერილი მიოგლობინის მონაწილეობით: რკინის იონთან კოორდინირებული წყლის ორგვაროვანი როლის გამოვლინება ტემპერატურისს და წნევის ვარირების პირობებში ჩატარებული ვოლტამპერული კვლევების საშუალებით.

მიოგლობინში ელექტრონის გადატანის ბუნებრივი პროცესების იმიტაცია შესაძლებელია სხვადასხვაგვარად მოდიფიცირებულ მეტალის ელექტროდსა და ხსნარში თავისუფლად დიფუნდირებად ან ელექტროდზე ადსორბირებულ მიოგლობინს შორის მუხტის გადატანის პროცესის საშუალებით. მოცემულ სამუშაოში შევისწავლეთ ცხენის კუნთის მიოგლობინსა და განსხვავებული სისქისა და მიოგლიბინთან მორეაგირე სახვადასხვა სახის, [(–OH), ან 1:1 პროპორციით შერეული (–OH/–COOH)] ჯგუფებით დაბოლოვებული თვითაწყობადი მონოშრეებით დაფარულ ოქროს ელექტროდებს შორის მუხტის გადატანის პროცესი. მიოგლობინის მუხტის გადატანის პროცესის სხვადასხვა ტემპერატურისა და წნევის პირობებში ჩატარებულმა სისტემატიურმა ციკლურ-ვოლტამპერულმა კვლევებმა გამოავლინა. რომ თავისუფლად დიფუნდირებად და ელექტროდზე ადსორბირებული მიოგლობინის შემთხვევაში ხორციალდება: ა)მუხტის გადატანის სხვადასხვა კინეტიკური რეჟიმი, და: ბ) სხვადასხვა შინაგანი ფიზიკური მექანიზმებით (შესაბამისად, დინამიკურად კონტროლირებად და არაადიაბატურ რეჟიმში)

მიოგლობინიათვის ჩვენს მიერ მიღებული და ლიტერატურაში არსებული მონაცემების ანალიზის და ამავე დროს რედოქს აქტიური ცილა ციტოქრომ c-ს თან შედარების საფუძველზე განისაზღვრა ჰემის ჯგუში არსებულ რკინის იონთან კოორდინირებული წყლის როლი. კეძოდ, დადგინდა, რომ კოორდინირებული წყლის მოლეკულის გადაადგილება, რომელიც თავის მხრივ უშუალოდ არის დაკავშირებული მუხტის გადატანასთან, განისაზღვრება/კონტროლდება მიოლობინის მოლეკულის კონფორმაციული მდგომარეობით და ამ ბიომოლეკულის შინაგანი ფლუქტუაციური ძვრადობით.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**დიმიტრი ხოშტარია** (10 თანაავტორით)	**ნანოფაზური და კვანტური ბიოფიზიკის პროგრესი საქართველოში: 2003–2014 წწ. სამეცნიერო კვლევის შედეგები.**	**ქ. თბილისი, თსუ, 04.02.2015 წ.**
მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე			

თორმეტწლიანი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩვენმა სამეცნიერო ჯგუფმა, უცხოელ პარტნიორებთან ერთობლივად, რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებსა და გამოცემებში გამოაქვეყნა, ან გამოსაქვეყნებლად მოამზადა 35 სამეცნიერო სტატია, მათ შორის: თსუ ქვეგანაყოფების (ფიზიკის დეპარტამენტის ბიოფიზიკის ლაბორატორიისა და ბიოფიზიკისა და ბიონანომეცნიერებების ინსტიტუტის) უშუალო მონაწილეობით - 12 (2008-2014 წწ.), ხოლო ზემოთ დასახელებული ორი უმნიშვნელოვანესი მიმართულების ფარგლებში, მთლიანად 22 (შესაბამისად, 10 და 12) სტატია. მიღებული შედეგების სფუძველზე მომზადდა 5 სამეცნიერო დისერტაცია, მათ შორის: მეცნიერებათა კანდიდატის - 2, მეცნიერებათა დოქტორის - 1, აკადემიური დოქტორის (თსუ) 2 დისერტაცია.

შემაჯამებელ მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება უმნიშვნელოვანესი შედეგების ერთი ნაწილი რომელიც უკავშირდება გლობულური ცილა-ფერმენტების სტაბილობის და ფუნქციის ფუნდამენტურ კვლევებს. ეს კვლევები პირობითად შეიძლება დახასიათდეს როგორც (ა) ხსნარებში თავისუფლად დიფუნდირებადი და (ბ) ზედაპირებზე იმობილიზებული გლობულური ცილების შესწავლა კინეტიკური თუ თერმოდინამიკური მეთოდებით. ამ ორი მიმართულების ფარგლებში, ასევე გაკეთებული იქნება როგორც წინა წლებში, ისე 2014 წელს მიღებული (ანუ, უახლესი) მონაცემების შედარებითი ანალიზი.

(ა)-მიმართულებით განხილული და კომპლექსურად გაანალიზებული იქნება მიკროკალორიმეტრული მონაცემები მოდელური, კატალიზური ფუნქციის მქონე ცილა-ფერმენტის, α-ქიმოტრიპსინის თერმოდინამიკური სტაბილობის კუთხით, მასზე მასტაბილეზებელი და მადესტაბილებელი დანამატების ზემოქმედების პირობებში, შესაბამის ფუნქციურ (ფერმენტულ) აქტივიბასთან ურთიერკავშირში [1-4]. ასევე, ჟანგვა-აღდგენითი ფუნქციის მქონე ცილის, ციტოქრომ *C*-ს თერმოდინამიკური სტაბილობა მასზე მასტაბილეზებელი და მადესტაბილებელი დანამატების ზემოქმედების პირობებში, შესაბამის ფუნქციურ აქტივიბასთან (ელექტრონის მიმოცვლა) ურთიერკავშირში [5,6].

(ბ)-მიმართულებით განხილული და კომპლექსურად გაანალიზებული იქნება სწრაფი სკანირების ვოლტამპერომეტრული მონაცემები ჟანგვა-აღდგენითი უნარის/ფუნქციის მქონე Au/SAM-ელექტროდებზე იმობილიზებული ცილების, მიოგლობინის [7], აზურინის [8,9], და ციტოქრომისთვის [10,11], ასევე მოდელური მეტალშემცველი ნაერთებისთვის [12,13], ელექტრონის მიმოცვლის ანგსტრემის სიზუსტით კონტროლირებადი მანძილის, ასევე გარემოს ტემპერატურის, წნევის და ბლანტი/ზებლანტი დანამატების ვარირების პირობებში.

ლიტერატურა:

(ა) [1] D.E. Khoshtariya *et al.*, ISRN Biophysics, **2014**, ID 834189 (6 p.); [2] Biophys. Chem., **2013**, *175/176*, 17-27; [3] Biopolymers, **2011**, *95*, 852-870; [4] J. Biol. Phys. Chem. (Basel), **2003**, *3*, 2-11; [5] Chem. Eur. J., **2006**, *12*, 7041-7056; [6] Angew. Chem. Int. Ed., **2006**, *45*, 277-281.

(ბ) [7] D.E. Khoshtariya *et al.*, J. Phys. Chem. B., **2014**, *118*, 692-706; [8] Phys. Chem. Chem. Phys., **2013**, *15*, 16515-16526; [9] Proc. Natl. Acad. Sci. USA, **2010**, *107*, 2757-2762; [10] Biopolymers, **2007**, *87*, 68-73; [11] J. Am. Chem. Soc., **2003**, *125*, 7704-7714; [12] Phys. Rev. E, **2009**, *80*, ID 065101-R, (4p.); [13] J. Phys. D, **2015**, Submitted.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**D.E. Khoshtariya T.D. Dolidze D.H. Waldeck R. van Eldik**	**Protein-film voltammetry as a powerful biophysical method for mechanistic studies of biological ET.**	**10th European Biophysics Congress July 18–22, 2015, Dresden, Germany.**

2	**T.D. Dolidze Y. Liu S. Singhal D.E. Khoshtariya J. Wei**	**Direct wiring and two-electron exchange mechanism for glucose oxidase at GC/nanotube electyrodes.**	**10th European Biophysics Congress July 18–22, 2015, Dresden, Germany.**

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1. ცილოვანი ფირების ვოლტამეტრია, როგორც მძლავრი ბიოფიზიკური მეთოდი მუხტის გადატანის ბიოლოგიური პროცესების მექანიზმების შესასწავლად.

ჟანგვა-აღდგენითი ფუნქციის მქონე ცილების ამოქმედების და მათი ფუნქციონირების შესწავლის გზები განსხვავებული სისქისა და შემადგენლობის თვითაწყობადი მონოშრეებით დაფარულ მეტალის ზედაპირებზე საკმაოდ მრავალფეროვანია.

ვოლტამპერული კვლევის მეთოდოლოგია, შესაბამისი მონაცემების დამუშავების მოწინავე პროცედურებთან ერთობლივად, საშუალებას იძლევა რათა ჩატარდეს კინეტიკურ მონაცემთა მრავალმხრივი ანალიზი და გამოითვალოს ელექტრონის გადატანის თანმხლები გარემოს რეორგანიზაციის ენერგიის, დონორ-აქცეპტორული ელექტრონული ურთიერთქმედების ენერგიის, ცილის და მისი გარემოს ფლუქტუაციებთან ასოცირებული ეფექტური რელაქსაციის დროის და ცხვა საკვანძო ფიზიკური პარამეტრების მნიშვნელობები. მოხსენებაში განხილული იქნება ბოლო ათი წლის მანძილზე ცილოვანი ფირების ვოლტამეტრიის მეთოდის გამოყენებით, ზოგიერთ დამახასიათებელ ჟანგვა-აღდგენით ცილაში (მაგალითად, ციტოქრომი c, აზურინი, მიოგლობინი, გლუკოზ ოქსიდზა) და ასევე რამოდენიმე მოდელურ (ბიომიმეტიკურ) სისტემაში მუხტის გადატანის მექანიზმების შესახებ მიღებული შედეგები.

2. გლუკოზ ოქსიდაზის პირდაპირი ელექტრონული კავშირი და ორ-ელექტრონიანი მუხტის გადატანის მექანიზმი გრაფიტზე დამაგრებულ ნახშირბადის ნანომილაკების ელექტროდებზე.

ჩატარებულ იქნა გრაფიტის, ნახშირბადის ნანომილაკებისა და პოლიმერული მასალისგან შექმნილ მატრიცასთან დაკავშირებული გლუკოზ ოქიდაზის (GOx) და, დამოუკიდებლად, მისი კო-ფაქტორის, ფლავინ ადენინინ დინუკლეოტიდის (FAD) კვლევები ციკლიური ვოლტამეტრიის მეთოდის გამოყენებით. GOx -ის და FAD-ისთვის მიღებული კინეტიკური მონაცემების შედარებითი ანალიზი მიუთითებს იმაზე, რომ GOx -ის მექანიზმური ქცევა პრაქტიკულად იდენტურია იზოლირებული FAD-ის ქცევისა. ზემოაღნიშნული ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ გლუკოზ ოქიდაზას შიგნით განთავსებული FAD-ის უშუალოდ არის დაკავშირებული გრაფიტის მზიდ ელექტროდთან; სავარაუდოდ ნახშირბადის ნანომილაკები უშუალო კონტაქტში იმყოფებიან GOx -ის ბიომოლეკულის წიაღში მოთავსებულ FAD-თან.

გარდა ამისა, არაადიაბატური, ორი ელექტრონის კვაზი-სინქრონული გადასვლების მექანიზმი დადგინდა პროტონთან შეუღლებული ორ-ელექტრონიანი გადასვლების თეორიისა, და პირველად მოცემული სისიტემისათვის, სხვადასხვა ტემპერატურაზე მიღებული ციკლიური ვოლტამეტრიის მონაცემების და შემდგომი, არენიუსის განტოლების საფუძველზე მიღებული დამოკიდებულების ანალიზის საფუძველზე.

V. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

IV. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	**Fast-scan cyclic voltammetric and time-resolved photo-physical studies of redox-active proteins and their mimics functionalized at self-assembled monolayer and composite films (2014-2016).** ბიოფიზიკა და ბიონანომეცნიერება (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია)	**D. Khoshtariya** (საქართველოს მხრიდან) **I. Ivanović-Burmazović D.M. Guldi** (გერმანიის მხრიდან).	**დ. ხოშტარია თ. დოლიძე მ. შუშანიანი**	**Alexander von Humboldt Foundation, Germany (გერმანია)**

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

ქ. ერლანგენის (გერმანია) უნივერსიტეტთან ერთობლივად, ციკლური ვოლტამპერომეტრიის მეთოდით ჩვენ ასევე შევისწავლეთ Au-ელექტროდზე დატანილ ალკათიოლის ფირებზე იმობილიზებული, ან თავისუფალი დიფუზიის რეჟიმში მყოფი მიოგლობინის (Mb) ელექტროდთან ელექტრონების მიმოცვლის ფიზიკური მექანიზმები. გარემოს ტემპერატურის და წნევის ვარირების პირობებში ჩატარებული სისტემატური კვლევების ხარჯზე დადგენილ იქნა, რომ ელექტროდებზე დატანილ ალკანთიოლურ ფირებთან Mb-ის ურთიერთქმედების სიძლიერე, ანუ Mb-ის მაკრომოლეკულის კონფორმაციული ძვრადობის (დინამიკის) ხარისხი არსებითად განაპირობებს Mb-ის ბიომოლეკულის მონაწილეობით მიმდინარე ელექტრონების მიმოცვლის პროცესების ფიზიკურ ბუნებას: ხისტად იმობილიზებული Mb-ის შემთხვევაში ბიომოლეკულის კონფორმაციული ძვრადობის შეზღუდულობა ასევე ზღუდავს ელექტრონის გადასვლებთან შეუღლებული ლიგანდის (ამ შემთხვევში, წყლის მოლეკულის) გადაადგილებებს. შესაბამისად, ელექტრონის გადასვლა ხდება ადვილად და სწრაფად. ხოლო, იმ შემთხვევაში, როდესაც Mb „თავისუფალია“, ე.წ. კოორდინირებული წყლის მოლეკულა აქტიურად მონაწილეობს პროცესში და, შესაბამისად, „ამუხრუჭებს“ ელექტრონების მიმოცვლის სიჩქარეს.

ასევე შესწავლილი იყო ბიომიმეტიკური ობიექტის - Au-ელექტროდზე დატანილ თვითაწყობად ფირში იმობილიზებული („ჩაჭერილი“) სპილენძის იონების მონაწილეობით ელექტროდთან ელექტრონული მიმოცვლის პროცესი, გარემოს ტემპერატურის და წნევის ვარირების პირობებში. კვლევებმა გამოავლინა ელექტრონის მიმოცვლის პროცესზე „მინისებური“ გარემოს ძლიერი არაერგოტიკული და არაწრფივი გავლენისთვის დამახასიათებელი ეფექტები.

საგრანტო პროექტის შედეგები გამოქვეყნდა მაღალრეიტინგულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში (სამი – 2015 წ.), და მოხსენებების სახით წარმოდგენილი იყო საერთაშორისო ფორუმებზე (ორი – 2015 წ.); ჩამონათვალი იხ. ზევით.

გამოთვლითი ფიზიკის სამეცნიერო ინსტიტუტი.

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი:
  დირექტორი: ფიზ. მათ. მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუს პროფესორი **რევაზ ზარიძე**, დირექტორის მოადგილე: ფიზიკის დოქტორი **დავით კაკულია**.
* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

1. რევაზ ზარიძე 01008001735
2. დავით კაკულია 62004013470
3. დავით ქარქაშაძე 01017001346
4. გია საფარიშვილი 01030012675
5. კოტე ყვავაძე 01008023258
6. ლაზარე ბერძენიშვილი 01009012843
7. ლევან შოშიაშვილი 01008009154
8. გურამ კუჭავა 01019047401
9. ვასილ ტაბატაძე 12001014329
10. მიხეილ პრიშვინი 01024019663
11. ივანე პეტოევი 50001001320
12. ვერიკო ჯელაძე 34001003612

დოქტორანტები:

13. ალექსანდრე კოჭლაშვილი 01019047401
14. აკაკი ლომია 01008040945

სტუდენტები-მაგისტრანტები:

15. მარიამ წვერავა 01005026139
16. ბექა ფონიავა 29001032290
17. ლევან ყორიაული 23001011314
18. გიორგი პოპოვი (ბაკალავრი) 01011089906
19. ზვიად ზარქუა (ბაკალავრი) 62005030198

ინსტიტუტში მუშაობს 10 დოქტორი, 2 დოქტორანტი, 2 რადიოინჟინერი, 3 მაგისტრანტი და 2 ბაკალავრი.

II. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის
დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
(ეხება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

	მითითებით		
1			
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

I. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	RF დასხივებისა და ელექტრომაგნიტური დაბინძურების შესწავლა გრანტი - # 30/09	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	მიხეილ პრიშვინი	მიხეილ პრიშვინი რევაზ ზარიძე ლალი ბიბილაშვილი ვერიკო ჯელაძე ვასილი ტაბატაძე გიორგი პოპოვი

დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები

პროექტის II ეტაპის შედეგები:

1. **RF ზემოქმედების მოდელირება ქალისა და ბავშვის მოდელებზე 300, 1900, 3700 მჰც სიხშირეებზე მოდიფიცირებული მოდელის გამოყენებით:** FDTDLab პროგრამული პაკეტის გამოყენებით SAR-ის განაწილებისა და ტემპერატურის მატების დათვლა 300, 1900, 3700 მჰც სიხშირეებზე მოდიფიცირებული მოდელის გამოყენებით. (რუსთაველის ფონდს გადაეცა: MyFDTD პროგრამა ახალი ფუნქციებით).

2. **RF ზემოქმედების მოდელირება 300, 1900, 3700, 6000 მჰც-ზე მომხმარებლის ხელის გათვალისწინებით:** FDTDLAb პროგრამული პაკეტის გამოყენებით SAR-ის განაწილებისა და ტემპერატურის მატების დათვლა 300, 1900, 3700, 6000 მჰც სიხშირეებზე მომხმარებლის ხელის გათვალისწინებით. (რუსთაველის ფონდს

გადაეცა: FDTDLab პროგრამული პაკეტი ელექტრომაგნიტური დასხივების სიმულაციისთვის, საბოლოო ვერსია).

3. **მოხსენება საერთაშორისო კონფერენციაზე:** "Human EM Exposure Study for Some Big Scenarios", IEEE 34th International Conference on Electronics and Nanotechnology (ELNANO-2014), April 15-18, Kyiv, Ukraine.

4. **სტატია რეცენზირებად ჟურნალში:** "RF Exposure Simulation using Considering Blood Perfusion for a Chield and Woman Models", Journal of Applied Electromagnetism (JAE). Accepted for publication.

პროექტის III ეტაპის შედეგები:

1. **MAS სოლვერის შემუშავება RF ზემოქმედების ამოცანების ამოსახსნელად დიდ სცენარიებისათვის:** შეიქმნა MAS მეთოდზე დაფუძნებული რიცხვითი სოლვერი, რომელითაც შეიძლება ამოიხსნას დიფრაქციის ამოცანა დიდი სცენარიებისათვის, მაგ. დამიანზე დასხივება ოთახში. (რუსთაველის ფონდს გადაეცა: რიცხვითი სოლვერი დინამიური ბიბლიოთეკის სახით (.dll)).

2. **პროგრამული პაკეტის შექმნა მომხმარებლისთვის გრაფიკული ინტერფეისით:** შეიქმნა პროგრამული პაკეტის პირველი ვერსია, რომელშიც შედის: სოლვერი დიდი სცენარებისთვის და გრაფიკული ინტერფეისი სოლვერის მართვისა და შედეგების ვიზუალიზაციისათვის. (რუსთაველის ფონდს გადაეცა: პროგრამული პაკეტი დისკზე).

პროექტის საბოლოო შედეგები:

პროექტის მიზანი იყო ელექტრომაგნიტური (ემ) დასხივების ზემოქმედების შესწავლა ადამიანზე, სხვადასხვა ტიპის სცენარებში: როდესაც იგი იმყოფება ღია სივრცეში და შენობაში. ასევე საბაზო სადგურის ანტენებით გამოწვეული ელექტრომაგნიტური ველის განაწილების დადგენა და რეკომენდაციების შემუშავება ემ დასხივების მავნე ზემოქმედების შესამცირებლად. პროექტის ფაგლებში შესრულდა მთელი რიგი ამოცანები, რომელიც საჭირო იყო ემ დასხივების ადამიანზე ზემოქმედების სრულყოფილად შესასწავლად. კერძოდ, სისხლის მიმოქცევის გათვალისწინება განსახილველ ქალისა და ბავშვის არაერთგვაროვან ანატომიურ მოდელებში და დიდმასშტაბიანი სცენარების განხილვა, ფანჯრიან ოთახში მყოფი ადამიანის გათვალისწინებით და რიცხვითი მეთოდის განვითარება ასეთი სცენარების შესასწავლად და მის საფუძველზე პროგრამული პაკეტის შექმნა.

1. შექმნილი ალგორითმის საფუძველზე ქალისა და ბავშვის მთლიან მოდელებში აღდგენილ იქნა სისხლძარღვთა სისტემა და მოხდა სისხლის მიმოქცევის მოდელირება და შესწავლილ იქნა რამდენიმე დასხივების სცენარი 300, 1900 და 3700 მჰც სიხშირეებზე ქალისა და ბავშვის თავის და მთლიან მოდელებზე პენეს და მოდიფიცირებული ბიო-სითბოს განტოლებების გამოყენებით, აგრეთვე შეიქმნა პროგრამული პაკეტი ემ დასხივების მოდელირებისათვის.

2. ნაჩვენები იქნა, რომ დასხივების განმავლობაში ტემპერატურის მატება ადამიანის ქსოვილში სისხლის მიმოქცევის გათვალისწინებით უფრო მცირეა, ვიდრე მის გარეშე, ხოლო SAR-ის მნიშვნელობები თითქმის ტოლია; SAR-ის

მნიშვნელობებისა და ტემპერატურის მატების მაქსიმუმები დაბალია დაბალ სიხშირეებზე და უფრო მაღალია მაღალი სიხშირეებისთვის, სხეულის ზედაპირულ ფენაში; SAR-ისა და ტემპერატურის მატების მნიშვნელობები ბავშვის მოდელისათვის უფრო მაღალია ქალთან შედარებით, ბავშვის სხეულის ზომების და ქსოვილების ფიზიკური თვისებების გამო.

3. მოდიფიცირებული ბიო-სითბოს განტოლება საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ თერმული ეფექტი იმ სახით, რომელიც უფრო რეალურად ასახავს ადამიანის ქსოვილში მიმდინარე პროცესებს. მოცემულ კვლევაში აღწერილი მიდგომა და პრინციპები სრულიად გამოსადეგია ცხოველებზე, ნებისმიერ ქსოვილებსა თუ სხვა ბიოლოგიურ სტრუქტურებზე კვლევების ჩასატარებლად.

4. განვითარდა დამხმარე გამომსხივებლების მეთოდი (დგმ) შენობაში მყოფ ადამიანზე ემ დასხივების ზემოქმედების გამოსაკვლევად.

5. შეიქმნა დგმ-ზე დაფუძნებული ახალი ალგორითმი სასურველი გამჭვირვალობის ნებისმიერი ზედაპირების დასამოდელირებლად, რომელიც გამოყენებულ იქნა ოთახის რეზონანსული თვისებების გამოსაკვლევად და შეიქმნა პროგრამული პაკეტი ადამიანზე ემ დასხივების ფართომასშტაბიანი სცენარების გამოსაკვლევად.

6. შესწავლილ იქნა მრავალი დასხივების სცენარი ოთახის კედლების სხვადასხვა გასვლის კოეფიციენტის და ადამიანის მოდელის მდებარეობის ცვლილებისას.

7. ნაჩვენებია, რომ ოთახის კედლების დაბალი გამჭვირვალობისას ოთახში ფორმირდება მაღალი რეზონანსული ველი, რის გამოც SAR ადამიანის მოდელის თავში მკვეთრად იზრდება; ოთახში ემ ველის განაწილება და SAR-ის მნიშვნელობა თავში ასევე დამოკიდებულია ადამიანის და ანტენის მდებარეობის ცვლილებაზე; როცა ადამიანი იმყოფება ფანჯარასთან, მასში შთანთქმული ველის ენერგია გაცილებით მცირეა, ვიდრე ოთახის სიღრმეში მდებარეობისას; შესწავლილ იქნა ოთახის რეზონანსული თვისებები და ნაპოვნი იქნა რეზონანსული სიხშირეები. ამ სიხშირეებზე ოთახის კედლების დაბალი გამჭვირვალობის კოეფიციენტის შემთხვევაში, ველის მნიშვნელობა ოთახში და ასევე SAR-იც ადამიანის თავში ერთი-ორი რიგით იზრდება.

8. კვლევაში მიღებული შედეგების მართებულობის მიზნით, შედარებულ იქნა დგმ-ით და FDTD მეთოდით დათვლილი შედეგები რამდენიმე შემთხვევისათვის და მიღებულ იქნა კარგი თანხვედრა.

9. შემუშავდა რეკომენდაციები მობილური ტელეფონების გამოსხივებით გამოწვეული საფრთეები თავიდან ასაცლებლად

აგრეთვე გრანტის ფარგლებში შესრულებული სამეცნიერო სამუშაოს და პუბლიკაციების საფუძველზე, დოქტორანტმა ვერიკო ჯელაძემ 2015 წლის 8 მაისს დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: "ელექტრომაგნიტური გამოსხივების ზემოქმედების შესწავლა ადამიანის მოდელებზე მცირე მანძილებისთვის და ფართომასშტაბიანი სცენარებისთვის".

I. 4.

2	კიბოს მკურნალობა ნანონაწილაკების გამოყენებით: ჰიპერთერმიის შესწავლა უჯრედის დონეზე. გრანტი №დ-13/21	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ლევან შოშიაშვილი	ლევან შოშიაშვილი დავით კაკულია კახაბერ თავზარაშვილი აკაკი ლომია

ანოტაცია – შემუშავდა პროგრამული პაკეტი, რომლის საშუალებითაც წარმოებს ცოცხალ ორგანიზმებში თბოგადაცემის პროცესების მოდელირება. პროგრამული კოდების ვალიდაცია მოხდა ანალიზურ ამოხსნაზე დაყრდნობით. გამოკვლეულ და შერჩეულ იქნა სითბოს გადაცემის მოდელები (კლასიკური ფურიეს და მოდიფიცირებული კატანეოს მოდელები). ამოცანების მოდელირებისათვის გამოყენებულ იქნა სასრული სხვაობების სქემა (FDTD). დარტმუტში (Thayer Dartmouth School of Engineering, USA) ჩატარდა ექსპერიმენტი, რის შემდეგაც პროგრამულ პაკეტში მოხდა რეალური ექსპერიმენტის მიახლოებული მოდელის შექმნა და რიცხვითი ექსპერიმენტების ჩატარება. ასევე შეიქმნა ქალის მკერდის რეალური მოდელი, მოხდა რიცხვითი ექსპერიმენტების ჩატარება და ქსოვილში ტემპერატურული განაწილების შესწავლა.

მიღებული შედეგები: კიბოს მკურნალობისთვის დადგინდა ტემპერატურული განაწილება ქსოვილში და ჩატარდა მისი ანალიზი. ადგინდა, რომ რეალური ექსპერიმენტის და კომპიუტერული მოდელირების შედეგები კარგ თანხვედრაშია.

მიღებულია გამოსაქვეყნებლად სტატია ჟურნალში International Journal of Hyperthermia: “Mitigation of Eddy Current Heating During Magnetic Nano-Particle Hyperthermia Therapy”.

მიღებული შედეგებით მზადდება კიდევ ერთი საერთაშორისო პუბლიკაცია.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის	გამოცემის ადგილი,	გვერდების

		სახელწოდება	გამომცემლობა	რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
ანოტაციები ქართულ ენაზე					

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**I. M. Petoev** V.A. Tabatadze D. G. Kakulia R. S. Zaridze	“Method of Auxiliary Sources Applied to Thin Plates and Open Surfaces”, Journal of Communications Technology and Electronics	Vol. 60, No. 4	Moscow, ©Pleiades Publishing, Inc.	pp. 311–320

2	I. M. Petoev V. A. Tabatadze R. S. Zaridze	"The Method of Auxiliary Sources for the Thin Films Superimposed on the Dielectric Surface", Journal of Applied Electromagnetism (JAE)	Volume 17, No 1	Athens, BSUAE	pp. 1-10
3	**I. M. Petoev** V.A. Tabatadze D. G. Kakulia R. S. Zaridze	"Plane Wave Diffraction by the Multilayer Structure of the Infinite 2D Periodic Lattices", Journal of Applied Electromagnetism (JAE)	Volume 17, No 2	Athens, BSUAE	pp. 1-12
4	V. Jeladze V. Tabatadze M. Prishvin I. Petoev V. Tabatadze R. Zaridze	"Influence of the Walls Transparency on the Resonant EM Field's Values", Journal of Applied Electromagnetism (JAE)	Accepted for publication	Athens, BSUAE	
5	I. M. Petoev V. A. Tabatadze R. S. Zaridze	"The Method of Auxiliary Sources for Eigen Frequencies and Eigen Field Determination", XX International Seminar-Workshop Direct and Inverse problems of electromagnetic and acoustic wave theory	September 21-24, 2015	Lviev, NASU	pp. 13-17
6	V. Tabatadze R. Zaridze I. Petoev B. Poniava T. Chabukiani	"Application of the Method of Auxiliary Sources in the 3D Antenna Synthesis Problems", XX International Seminar-Workshop Direct and Inverse problems of electromagnetic and acoustic wave theory	September 21-24, 2015	Lviev, NASU	pp. 85-89

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. მოყვანილია დგმ-ს ეფექტურად გამოყენების შედეგები თხელ იდეალურ გამტარ არაჩაკეტილ ზედაპირებზე ელექტრომაგნიტური ტალღის დიფრაქციის ამოცანების ამოსახსნელად. განხილულია ბრტყელი, გოფრირებული და სფერული ზედაპირების შემთხვევები. აღწერილია აღძრული დენის განსაზღვრის მეთოდოლოგია ზედაპირის ორივე მხარისათვის. მოყვანილია მიღებული შედეგების შედარება მომენტების მეთოდით მიღებულ შედეგებთან. ნაჩვენებია დგმ-ს უპირატესობა და ეფექტურობა მსგავსი სახის ამოცანებში, რაც დადასტურებულია რეალური ექსპერიმენტით.

2. დგმ გამოყენებულია დროში ჰარმონიული ელექტრომაგნიტური ტალღის დიფრაქციის ამოცანის ამოსახსნელად გარკვეული სახის სტრუქტურაზე. შტრუქტურა წარმოადგენს მართკუთხა დიელექტრიკულ პარალელეპიპედს, რომლის ზედაპირზე დაფენილია თხელი იდეალური გამტარი ფირფიტები. სტრუქტურის პარამეტრების შერჩევით, დიელექტრიქსა და დაფენილი ფირფიტების შორის რეზონანსული მოვლენების შემთხვევაში დაიკვირვება მეტად საინტერესო მეტამასალების ეფექტები ფართო სიხშირულ დიაპაზონში.

3. განხილულია ბრტყელი ელექტრომაგნიტური ტალღის დიფრაქციის ამოცანა უსასრულო ორპერიოდულ ფენოვან სტრუქტურებზე. ნაპოვნია სტრუქტურის

ისეთი პარამეტრები, როდესაც მრავალჯერადი რეზონანსის შედეგად იგი იძენს მეტამასალების თვისებებს.

4. შესწავლილია მობილური კავშირგაბმულობის საბაზო სადგურების გამოსხივების ზემოქმედება ადამიანის მოდელზე ოთახის შიგნით. შესწავლილია შიდა ველის გაძლიერება რეზონანსული მოვლენების შედეგად. ამოცანა იხსნება დგმ-ს გამოყენებით. მოყვანილია ზოგიერთი საინტერესო რიცხვითი ექსპერიმენტის შედეგი.

5. დგმ გამოყენებულია ორგანზომილებიანი და სამგანზომილებიანი ელექტრომაგნიტური რეზონატორების სპექტრალურ ამოცანებში. სტანდარტული მიდგომების ნაცვლად, რომელნიც ასეთ ამოცანებში გამოიყენება, შემოთავაზებულია ალტერნატიული და მეტად უფრო ეფექტური მეთოდი, რომელიც დიფრაქციის ამოცანის განხილვაზე დაიყვანება.

6. დგმ გამოყენებულია ანტენის სინთეზის ამოცანაში, როდესაც მოცემულია შორი ველის დიაგრამა და საჭიროა განისაზღვროს შესაბამისი ოპტიმალური ანტენა. შემოთავაზებული ეფექტური მეთოდი დაკავშირებულია ველის ანალიზურობასთან, მის ანალიზურ გაგრძელებასთან და ველის ფუნდამენტური სინგულარობების ცნებასთან. მოყვანილია რიცხვითი რეალიზაციისას მიღებული საინტერესო შედეგები.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1			
მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე			

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	V. Tabatadze	The method of Auxiliary Sources for Eigen Fraquencies and Eigen Field Determination	September 21-24, 2015, Lviev, Ukraine
2	V. Tabatadze	Application of the Method of Auxiliary Sources in the 3D Antenna Synthesis Problems	September 21-24, 2015, Lviev, Ukraine
3	R. Zaridze	Optimal Antenna Synthesis Problem Solution Using the Method of Auxiliary Sources	2-4 November, 2015, Tel Aviv, Israel
მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე			

1. დგმ გამოყენებულია ორგანზომილებიანი და სამგანზომილებიანი ელექტრომაგნიტური რეზონატორების სპექტრალურ ამოცანებში. სტანდარტული მიდგომების ნაცვლად, რომელნიც ასეთ ამოცანებში გამოიყენება, შემოთავაზებულია ალტერნატიული და მეტად უფრო ეფექტური მეთოდი, რომელიც დიფრაქციის ამოცანის განხილვაზე დაიყვანება.

2. დგმ გამოყენებულია ანტენის სინთეზის ამოცანაში, როდესაც მოცემულია შორი ველის დიაგრამა და საჭიროა განისაზღვროს შესაბამისი ოპტიმალური ანტენა. შემოთავაზებული ეფექტური მეთოდი დაკავშირებულია ველის ანალიზურობასთან, მის ანალიზურ გაგრძელებასთან და ველის ფუნდამენტური სინგულარობების ცნებასთან. მოყვანილია რიცხვითი რეალიზაციისას მიღებული საინტერესო შედეგები.

3. განხილულია ანტენის სინთეზის ამოცანა მოცემული დიაგრამის მიხედვით. შემოთავაზებული მიდგომა დაკავშირებულია ველის ანალიზურობის იდეასთან, მისი ფუნდამენტური სინგულარობების განაწილებასთან და ეფუძნება დამხმარე გამომსხივებლების მეთოდს. მოყვანილი რიცხვითი ექსპერიმენტის შედეგებით დასტურდება შემოთავაზებული მიდგომის ეფექტურობა.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1				
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

IV. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1				
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

გამოყენებითი ეკოლოგიის ინსტიტუტი

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: პროფესორი ლია მაჭავარიანი

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:
პროფ. ლია მაჭავარიანი (დირექტორი); ასოც. პროფ. ლამზირა ლაღიძე (ატმოსფეროს ეკოლოგიის განყოფილების გამგე); ვაჟა ტრაპაიძე (ჰიდროეკოლოგიის განყოფილების გამგე); პროფ. დალი ნიკოლაიშვილი (კარტოგრაფია-გეოინფორმატიკის განყოფილების გამგე); მაია მელაძე (აგროეკოლოგიის განყოფილების გამგე); ნოდარ წივწივაძე (ზღვის ეკოლოგიისა და ნაპირდაცვის განყოფილების გამგე); გიორგი მეტრეველი (ზღვის ეკოლოგიისა და ნაპირდაცვის განყოფილების მთავარიი მეცნიერერ თანამშრომელი); გიზო ვაშაკიძე (ცივილიზაციების ეკოლოგიის განყოფილების გამგე); გიორგი მელაძე (ეკომიგრაციების განყოფილების გამგე) დავით სავანაძე (გის–სპეციალისტი).

I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

(ეხება სამენიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

#	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

I. 2.

#	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	საქართველოს ცალკეული ადმინისტრაციული რეგიონების კლიმატის, კლიმატური და აგროკლიმატური რესურსების კვლევა (კახეთი) (2014-2016). დედამიწისშემსწავლელი მეცნიერებები, აგრარული მეცნიერებები	ე. ელიზბარაშვილი	აგრარული ჯგუფი: მ. მელაძე, გ. მელაძე
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			
მეორე ეტაპზე. ჩატარებულია კახეთის რეგიონის კლიმატის ფორმირების ძირითადი ფაქტორების, კლიმატური ელემენტების და აგროკლიმატური პარამეტრების განაწილების კანონზომიერების კვლევა. მათი ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია კახეთის ტერიტორიაზე ჰაერის ტემპერატურის განაწილების გეოგრაფიული კანონზომიერებანი. სავეგეტაციო პერიოდში, აგროკულტურების სითბოთი უზრუნველყოფის განსაზღვრისათვის რეგიონის მუნიციპალიტეტების მიხედვით, შედგენილია რეგრესიის განტოლებები. რომლითაც შეიძლება შეფასდეს მიმდინარე წელს აქტიურ ტემპერატურათა ჯამებით უზრუნველყოფა. საპროგნოზო ტემპერატურის ჯამით განისაზღვრა მოსალოდნელი მოსავალის მიღების პირობები. ნიადაგში წყლის ბალანსის			

მაჩვენებელის შეფასებისათვის რეგიონის მუნიციპალიტეტების მიხედვით აქტიურ ტემპერატურათა (>10°C) და ატმოსფერული ნალექების ჯამების საფუძველზე გამოთვლილი იქნა ჰიდროთერმული კოეფიციენტი (ჰთკ). აგროკლიმატური რესურსების შეფასება ფერმერული მეურნეობებისათვის განსაზღვრავს აგროკულტურების სწორ განლაგებას და მათი განვითარების შესაძლებლობას. აღნიშნულთან დაკავშირებით, აგროკლიმატური მახასიათებლებიდან გამომდინარე, ჰაერის საშუალო დღეღამური ტემპერატურის (10°C) და ატმოსფერული ნალექების (მმ) ჯამების მიხედვით, შედგენილია კახეთის რეგიონის აგროკლიმატური რუკა, სადაც გამოყოფილია 5 ზონა, შესაბამისი პერსპექტიული კულტურების შესაძლო გავრცელებით. მოცემულ ზონებში მითითებულია (იზოჰიეტებით) ატმოსფერული ნალექების რაოდენობა (მმ), რომელიც გვიჩვენებს გამოყოფილი ზონების ატმოსფერული ნალექებით უზრუნველყოფას.

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

#	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	საერთაშორისო კონფერენცია „გამოყენებითი ეკოლოგია: პრობლემები, სიახლეები", ICAE-2015. დედამიწისშემსწავლელი მეცნიერებები: ბუნებათსარგებლობა და მდგრადი განვითარება; გარემოს დაცვის ტექნოლოგიები; დაბინძურება და აღდგენა	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (# CF/75/9-280/14)	ლია მაჭავარიანი	ლ. ლაღიძე დ. ნიკოლაიშვილი ნ. პაიჭაძე ზ. გულაშვილი
2	რიონის წყალსაცავების კასკადის კლიმატზე ზემოქმედების შეფასება	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	ვ. გვაზარიაიანი	გ. მეტრეველი

დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

1. შოთა რუსთველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით 2015 წლის 7-10 მაისს ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია "გამოყენებითი ეკოლოგია: პრობლემები, სიახლეები" ICAE-2015 (პროექტი: CF/75/9-280/14). კონფერენციას მასპინძლობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; კონფერენციის თავმჯდომარე – პროფესორი ლია მაჭავარიანი. კონფერენციის მიზანი იყო გამოყენებითი ეკოლოგიის პრობლემებზე მომუშავე სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტთა სამეცნიერო მიღწევების გაცნობა, ინფორმაციის ურთიერთგაცვლა და გამოცდილების გაზიარება ადგილობრივ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე. შეიქმნა ორენოვანი (ინგლისურ-ქართული) საკონფერენციო საიტი: http://icae-2015.tsu.ge/

კონფერენციაზე დარეგისტრირდა 145 მონაწილე 18 ქვეყნიდან (აზერბაიჯანი, ბულგარეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ეგვიპტე, თურქეთი, ისრაელი, იტალია, კვიპროსი, მალაიზია, მოლდოვა, ნიდერლანდენი, პაკისტანი, რუსეთი, საქართველო, სომხეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი). კონფერენციაზე მონაწილეობის მსურველთა საერთო რაოდენობამ, თანამომხსენებლების (თანაავტორების) ჩათვლით 323-ს მიაღწია. წარდგენილი თეზისების რაოდენობა 150-ს აღემატებოდა. კონფერენციის სამუშაო ენა – ინგლისური.

კონფერენციის სამეცნიერო პროგრამა და სტრუქტურა: კონფერენციის გახსნა; ფოტო-გამოფენა *„საქართველოს ბუნება: გუშინ და დღეს"*; პლენარული სდომა; პარალელურ რეჟიმში მიმდინარე 17

სექცია. სექციური სხდომები ჩატარდა როგორც თბილისში (7 მაისი – თსუ I კორპ., აუდიტ. #115, #101, #214), ისე ბათუმში (9 მაისი – სამტუმროები "ერა-პალასი", "ჩაო"; 10 მაისი – ბათუმის ბოტანიკური ბაღი): http://icae-2015.tsu.ge/mtavari.php?lan=engl&cat=aEfKD

კონფერენციაზე წარდგენილი მოხსენებები დაიბეჭდა ორგვარი პუბლიკაციის სახით:

- 61 სტატია – კონფერენციის შრომებში – PROCEEDINGS, ICAE-2015 *International Conference "Applied Ecology: Problems, Innovations"* (ISBN 978-9941-0-7644-2) http://icae-2015.tsu.ge/
- შერჩეული მოხსენებები (28 სტატია) – ამერიკული ჟურნალის სპეციალურ გამოშვებაში – *„American Journal of Environmental Protection", Special Issue „Applied Ecology: Problems, Innovations"* (Science Publishing Group). AJEP-ის სპეციალური გამოშვების მთავარი რედაქტორი – პროფ. ლია მაჭავარიანი: http://www.sciencepublishinggroup.com/specialissue/163003#.Vf_YGMh1sM4

2. დამუშავებულია მთის წყალსაცავების კლიმატზე ზემოქმედების შეფასების მეთოდი, რომლის მიხედვითაც შეფასებულია ნამოხვანის, ალპანის და ტვიშის (ჭრებალოს) წყალსაცავების კლიმატზე ზემოქმედება. მიღებული შედეგების მიხედვით, ამ წყალსაცავების მიმდებარე ტერიტორიებზე ზემოქმედება მნიშვნელოვანია 300 მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე. 500 მეტრამდე ასეთი ზემოქმედება გაცილებით სუსტია, ხოლო აღნიშნულ საზღვრებს მიღმა ზემოქმედება უმნიშვნელოა. მიღებული შედეგები განსაკუთრებით საინტერესოა ადამიანთა ჯანმრთელობის და მევენახეობის მიმართულებით.

I. 4.

#	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ნაპირდაცვისა და ჰიდროენერგეტიკის ერთობლივი პრობლემის რეალიზაციის თანამედროვე მეთოდიკა. დედამიწისშემსწავლელიმეცნიერებები: ოკეანოგრაფია; ბუნებათსარგებლობა და მდგრადი განვითარება; გარემოს მონიტორინგი და შეფასება	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (AR/220/9-120/14)	ლია მაჭავარიანი	გ. მეტრეველი ნ. წივწივაძე
2	ტერიტორიული დაგეგმარებისათვის სამცხე-ჯავახეთის ლანდშაფტურ-ეკოლოგიური შეფასება გის-ანალიზის მეშვეობით. დედამიწისშემსწავლელი მეცნიერებები	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (AR/105/9-280/13)	დალი ნიკოლაიშვილი	ბ. კალანდაძე ვ. ტრაპაიძე ლ. ლაღიძე რ. მაღლაკელიძე ზ. ლაოშვილი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

1. პროექტის I ეტაპის ფარგლებში მიღებულია შემდეგი სახის შედეგები:

- მოძიებულ იქნა საქართველოს ზღვისპირის მოწყვლადი უბნების შესახებ არსებული ლიტერატურული, საარქივო, საექსპედიციო და სისტემატური დაკვირვების შედეგები. შეიქმნა მონაცემთა შესაბამისი ინფორმაციული ბაზა.
- შეფასებულია კლიმატის მიმდინარე ცვალებადობის პირობებში ზღვის შტორმული აქტივობის, დონისა და დინებების რეჟიმის ცვლის ამსახველი ინფორმაცია.
- შედეგები ასახულია პირველი შუალედური ანგარიშის სახით.

2. პროექტის III და IV ეტაპის ფარგლებში ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები:

- შეიქმნა სამცხე-ჯავახეთის ლანდშაფტური რუკა 1 : 50,000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკის საფუძველზე, რისთვისაც ასევე გამოყენებულია სხვადასხვა სამეცნიერო, კარტოგრაფიული,

სტატისტიკური, 2014-2015 წლებში პროექტის ფარგლებში ჩატარებული ექსპედიციების საველე მასალები. რუკაზე დატანილია ბტკ-ების ვერტიკალური სტრუქტურის ტიპები, რაც დაეფუძნა პროფ. ნ. ბერუჩაშვილის მიერ შემუშავებულ სივრცე-დროითი ანალიზისა და სინთეზის კონცეფციას. რუკა ელექტრონულ ფორმატშია; - განხორციელდა რეგიონის ბუნების კომპონენტებისა და სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებელთა სივრცე-დროითი ანალიზი. შექმნილია თემატურ რუკათა სერია; - დაწყებულია რეგიონის ლანდშაფტთა კომპიუტერული მოდელის შექმნა და შექმნილია გის-ის მონაცემთა ბაზა; - 2015 წელს ჩატარდა ექსპედიცია ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში, რის შედეგადაც აღიწერა 60 ლანდშაფტური ნაკვეთი და განხორციელდა მოსახლეობის გამოკითხვა ტრადიციული და თანამედროვე ბუნებათსარგებლობით საკითხებზე.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

#	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Vashakidze Gizo	The Heaven Express	Tb., “Saari”	
ანოტაციები (ქართულ ენაზე)				
მონოგრაფიაში თავმოყრილი და განხილულია დედამიწის სხვადასხვა კონტინენტზე არსებული პიქტოგრამები. აღნიშნულ ხელნაწერებში შემონახულია ინფორმაცია უძველეს ცივილიზაციათა შესახებ.				

სახელმძღვანელოები

#	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მელაძე მაია	აგროეკოლოგიის ძირითადი საფუძვლები	თბ., “უნივერსალი”	240
ანოტაციები (ქართულ ენაზე)				
განხილულია აგროეკოლოგიის ძირითადი საფუძვლები: ეკოლოგიური ფაქტორების კანონ-ზომიერებათა არსი და მათი გავლენა აგროცენოზებზე; ბიოცენოზის (აგროცენოზის) და ეკოსისტემის (აგროეკოსისტემის) აქტუალური საკითხები; ეკოლოგიური სოფლის მეურნეობა, როგორც მდგრადი განვითარების საფუძველი. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა აგროეკო-ლოგიის გლობალურ პრობლემებს: კლიმატის ცვლილების გავლენას აგრარულ სექტორზე; გარემოს გაჭუჭყიანების და ტყის აგროეკოლოგიურ მნიშვნელობას და მონიტორინგს; ასევე აგროეკოლოგიური ზონების რეგიონალურ ასპექტებს. ნაშრომი განკუთვნილია უმაღლესი სკოლის ბაკალავრებისა და მაგისტრებისათვის, რომლებიც იღებენ განათლებას ეკოლოგიის, აგროეკოლოგიის, აგრარულ მეცნიერებათა მიმართულებით.				

კრებულები

#	ავტორი / ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Nikolaishvili D. Sartania D. Matchavariani L.	Complex Evaluation of Different Factors on Growth of Grape	Proceedings of International Conference “Applied Ecology: Problems, Innovations” ICAE-	292-296

		in Georgia	2015. ISBN 978-9941-0-7644-2, Tbilisi-Batumi, 2015	
2	Tsivtsivadze N., Khatiashvili E. Askurava Z. Matchavariani L. Lagidze L. Motsonelidze N., Ivanov G., Paichadze N., Gulashvili Z.	Measures of Drinking Water Supply Reservoirs Ecological Problems Solution	Proceedings of International Conference "Applied Ecology: Problems, Innovations" ICAE-2015. ISBN 978-9941-0-7644-2, Tbilisi-Batumi, 2015	288-291
3	მელაძე გ. მელაძე მ.	საერთაშორისო კონფე-რენციის მასალები. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერე-ბათა აკადემიის მოამბე	თბილისი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია	232-236
4	Meladze M. Tatishvili M. Mkurnalidze I.	International Scientific Coference „Global Warming and Agrobiodiversity"	Tbilisi, Academy of Agricul-tural Science of Georgia	310-313
5	მელაძე მ. მელაძე გ.	გლობალური დათბობით გამოწვეული აგროკლი-მატური მაჩვენებლების ცვლილება ქვემო ქართლის რეგიონში. საერთაშორისო კონფერენციის მასალები	თსუ, გეოგრაფიული საზოგადოება, გეოგრაფიის ინსტიტუტი	214-219

ანოტაციები (ქართულ ენაზე)

1. თანამედროვე გეოგრაფიული კვლევების ერთ-ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენს ტერიტორიის სასოფლო-სამეურნეო რესურსული პოტენციალის შეფასება. ამგვარი შეფასება შესაძლებლო-ბას იძლევა შეიქმნას საფუძველი ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების, ტერიტო-რიული დაგეგმარებისა და გარემოს დაცვისათვის. მთავარია შეფასდეს ცალკეული ტერიტორია ვაზის გავრცელების შესაბამისად. კვლევის ძირითადი მიზანი მდგომარეობს ამ კუთხით საქართველოს მთელი ტერიტორიის აგრო-რესურსული პოტენციალის შეფასებაში. სხვადასხვა მონაცემზე (გეოგრაფიული, ეთნოგრადიული, კარტოგრაფიული და სხვ.) დაყრდნობით, შეიქმნა საქართველოს აგრო-რესურსული პოტენციალის დონეები და გამოვლინდა ამ პოტენციალის სივრცობრივ-ტერიტორიული გავრცელების თავისებურებანი. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მრავალფაქტორულ ანალიზს, კერძოდ ცალკეულ პარამეტრებს შორის სივრცობრივ-დროითი თავისებურებების გამოვლენას. ნაჩვენებია შეფარდება მევენახეობასა და ბუნებას, ან ანთროპოგენურ ფაქტორებს შორის. ბუნებრივ ფაქტორებს შორის უმნიშვნელოვანესია ტოპოგ-რაფია, კლიმატი და ნიადაგური თავისებურებანი. ანთროპოგენური ფაქტორების თვალსაზრი-სითაც ბევრი ფაქტორია მნიშვნელოვანი: მევენახეობის ტრადიცია, მანძილი ვენახებს შორის, მეღვინრობის წესები და ა.შ. ეს საკითხები ნაკლებადაა შესწავლილი სამეცნიერო შრომებში. საქართველოს რეგიობს შორის დიდი სხვაობა არსებობს ტრადიციული მევენახეობისა და მეღვინეობის კუთხით. კომპლექსური და მრავალფაქტორული ანალიზის საფუძველზე, განხორ-ციელდა საქართელოს ზონირება მევენახეობისა და მეღვინეობის თვალსაზრისით. განისაზღვრა პოტენციალის ხუთი კატეგორია. გის-ტექნოლოგიის გამოყენებით, შედგენილ იქნა საქართველოს მევენახეობი რუკა.

2. სასმელი და რეკრეაციული წყლის ხარისხი წარმოადგენს წყალმომარაგებითი და გარემოს დაცვითი ორგანიზაციების რთულ და კომპლექსურ ამოცანას. დღევანდელ მსოფლიოში ეს პრობლემა გასცდა კერძო ინტერესების ჩარჩოებს, რადგან ის ეხება მოსახლეობის ყოველდღიურ მოთხოვნილებას და მისი ჯანმრთელობის დაცვას, ისევე როგორც ქვეყნების უმნიშვნელოვანეს საკითხს უსაფრთხო და მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის. საქართველოში პრობლემის

აქტუალობა განპირობებულია უკანასკნელ ათწლეულებში გაურკვეველი წარმოშობის ინფექციური დაავადებების სიხშირით, ბავშთა სიკვდილიანობით, სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირებით და სხვ. წყალსაცავების ეკოლოგიური მდგომარეობისა და წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ქვეყანაში გამოყენებული წყლის დეზინფექციის მეთოდს არც ექიმები და მეცნიერები, არც ჯანდაცვის ორგანოები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ. ნაშრომში მოტანილია წყლისმომარაგების მთავარი რეზერვუარის, ე.წ. „თბილისის ზღვის“ ეკოლოგიური მდგომარეობის კვლევის შედეგები. გამსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სხვადასხვა სახის წყალმცენარეების არსებობას წყალსაცავში, რომლებიც აბინძურებენ სასმელ წყალს და განაპირობებენ ორგანოლეპტიკური სახის ცვლილებებს ევტროფიკაციის პროცესში. ამ უკანასკნელის ნეგატიური ზემოქმედების გაუვნებელყოფისათვის შეთავაზებულია რეკომენდაციები – შესაბამისი მეთოდები და ტექნიკური საშუალებები.

3. გლობალური დათბობის შედეგად კახეთის რეგიონში გამოვლენილია აგროკულტურების განვითარების აგროკლიმატური მაჩვენებლების ცვლილების ტენდენციები (მატება, კლება). რაც იწვევს სავეგეტაციო პერიოდის გახანგრძლივებას, ტემპერატურის ჯამების მატებას და ნალექების ჯამების ძირითადად კლებას. ამ მაჩვენებლებიდან გამომდინარე დაიკვირვება ჰიდროთერმული კოეფიციენტის ინდექსის კლების ტენდენცია. რაც მიუთითებს სუსტი და საშუალო ინტენსიური გვალვების მატებაზე. ამ ნეგატიური მოვლენის წინააღმდეგ საჭირო იქნება შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

4. დედამიწის სადამკვირვებლო სისტემის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს ვეგეტაციის გავლენის გამოკვლევა ფართო-მასშტაბიან გლობალურ პროცესებზე. ამისთვის ყველაზე გამოყენებადი პროდუქტი არის ნორმალიზირებული ვეგეტაციური ინდექსი, რომელიც მიიღება თანამგზავრული დაკვირვების სისტემიდან. წარმოდგენილ სტატიაში განხილულია მისი გამოყენება ტყის ეკოლოგიური მონიტორინგისათვის.

5 ქვემო ქართლის რეგიონისათვის (მუნიციპალიტეტების მიხედვით) გამოვლენილი იქნა გლობალური დათბობით გამოწვეული აგროკლიმატური მაჩვენებლების ცვლილების ტენდენცია. კერძოდ, გამოვლინდა აქტიურ ტემპერატურათა და ატმოსფერული ნალექების ჯამების, ასევე ჰიდროთერმული კოეფიციენტის (ჰთკ) ინდექსის ცვლილება ზ.დ. სიმაღლეების მიხედვით. ჩატარებული კვლევების შედეგებიდან გამომდინარე, სავეგეტაციო პერიოდში ფიქსირდება აქტიურ ტემპერატურათა ჯამების მატება და ატმოსფერული ნალექების და ჰთკ-ს შემცირება. აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით აგროკულტურების ნორმალური პროდუქტიულობისათვის რეკომენდირებულია შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებების გატარება.

სტატიები

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის /კრებულის დასახელება	ჟურნალის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მელაძე მ. გოგიტიძე ვ.	ვაშლის ჯიშების ეკოლოგიური კლასიფიკაცია და დარაიონება აღმოსავლეთ საქართველოში. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე	ტ. 34	თბ., მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	117-121
2	მელაძე მ. ანდრონიკაშვილი ა.	კახეთის რეგიონის ძირითადი აგროეკოლოგიური ასპექტები. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე	ტ. 34	თბ., მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	340-343
3	მელაძე გ.	ქედის ტერიტორიაზე გლობა-	ტ. 121	საქართველოს	43-47

	მელაძე მ.	ლური დათბობის გავლენა მცენარეთა განვითარების ძირითად აგროკლიმატურ მაჩვენებლებზე სავეგეტაციო პერიოდში. ჰმი-ის შრომები		ტექნიკური უნივერ-სიტეტის ჰიდრომეტე-ოროლოგიის ინსტიტუტი	
4	ტატიშვილი მ. მელაძე მ. მკურნალიძე მ. ჩინჩალაძე ლ.	GIS და თანამგზავრული ტექნოლოგიები ტყის საფარის მონიტორინგისათვის. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტე-ოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული	ტ. 121	ჰიდრომეტეოროლო-გიისა და ეკოლოგიის აქტუალური პრობლემები. ჰმი	112-116

ანოტაციები (ქართულ ენაზე)

1. სიმაღლითი ზონალობის მიხედვით, ძირითადი კლიმატური პარამეტრების (ჰაერის ტემპერა-ტურა, აქტიურ ტემპერატურათა ჯამი, ატმოსფერული ნალექები) ტერიტორიული განაწი-ლების მეცნიერული შესწავლის საფუძველზე, მოცემულია ვაშლის სხვადასხვა ჯიშის აგროკლიმატური დარაიონება და მათი ხარისხოვანი პროდუქციის წარმოების შესაძლებ-ლობა. გაანალიზებულია ჩრდილო-დასავლეთ ევროპის ქვეყნების მეხილეობის ცალკეული ზონების და ქვემო ქართლის მეხილეობის ზონების კლიმატური პირობების შედარებითი დახასიათება.
2. კახეთის რეგიონში რენტაბელური ფერმერული მეურნეობის მიმართულების განსაზღვრისა და პერსპექტიული აგროკულტურების წარმოების მიზნით, შეფასებულია ტერიტორიის აგროეკოლოგიური პირობები. რისთვისაც გამოკვლეულია და გაანალიზებულია ძირითადი აგროკლიმატური მახასიათებლები - ჰაერისა და ნიადაგის ტემპერატურები, ატმოსფერული ნალექები. გამოვლენილია აგრარული სექტორისათვის საშიში მეტეოროლოგიური მოვლენები - გვალვა, სეტყვა, წაყინვები, ყინვები, ძლიერი ქარები.
3. გლობალური დათბობის გათვალისწინებით, აქტიურ ტემპერატურათა ჯამებისა და სავეგე-ტაციო პერიოდის ხანგრძლივობის განსაზღვრისათვის (ქედის მუნიც.), დამუშავებულია საბაზისო (მიმდინარე) მეტეოროლოგიურ დაკვირვებათა (1956-2005) და მომავლის (2020-2050) საპროგნოზო მეტეოროლოგიური მონაცემები, რომელთა კლიმატური პარამეტრები გამოთვლილია რეგიონალური ECHAM4-ის მოდელით და A2 სცენარის მიხედვით. განსაზ-ღვრულია აქტიურ ტემპერატურათა და ატმოსფერული ნალექების ჯამები 1956-2005 პერიო-დისათვის და ტრენდით გამოსახულია მათი მსვლელობის დინამიკა. მოცემულია საბაზისო და მომავლის სცენარით აქტიური ტემპერატურისა (>10ºC) და ატმოსფერული ნალექების (მმ) ჯამების სხვადასხვა უზრუნველყოფა (%) თბილ პერიოდში (IV-X). სცენარით, ტემპერა-ტურის 1ºC-ის მატებით განსაზღვრულია აქტიურ ტემპერატურათა ჯამები და გამოყოფილია აგროკლიმატური ზონები, პერსპექტიული აგროკულტურების გავრცელებით.
4. დედამიწის მონიტორინგისთვის წამყვანი კვლევითი ცენტრების მიერ გაშვებულ იქნა დედამიწის სადამკვირვებლო სისტემა (EOS). დედამიწის ვეგეტაციის გავლენა ფართომას-შტაბიან გლობალურ პროცესებზე არის კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი. თანამგზავრული დაკვირვებიდან ყველაზე უფრო გამისაყენებადი პროდუქტი არის ვეგეტაციის დიფერენცირებული ნორმალიზებული ინდექსი, რომელიც გამოიყენება დაკვირვებებში ვეგეტაციაზე. NDVI, GVF და სხვა დამუშავებული პროდუქტების გამოყენება საქართველოს ტყეების მონიტორინგისათვის განხილულია წარმოდგენილ სტატიაში.

II. 2. პუბლიკაციები:

ა) უცხოეთში

მონოგრაფიები

#	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1				
ანოტაციები (ქართულ ენაზე)				

სახელმძღვანელოები

#	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები (ქართულ ენაზე)				

კრებულები

#	ავტორი / ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Matchavariani L. Lagidze L. Paichadze N.	Intensity, Distribution & Role of Profile-forming Processes in Pedogenesis of Georgia	Proceedings of the 15th International Multidisciplinary Scientific Geo-Conference SGEM2015 “Water Resources. Forest, Marine & Ocean Ecosystems” ISBN: 978-619-7105-37-7 / ISSN: 1314-2704, DOI: 10.5593/sgem 2015B32, Albena, Bulgaria, 2015, vol. II	199-207
2	Tsivtsivadze N. Khatiashvili E. Matchavariani L. Lagidze L. Motsonelidze N.	About the Determination \of Chlorine Dose for Drinking Water Disinfection	Proceedings of the 15th International Multidisciplinary Scientific Geo-Conference SGEM2015 „Ecology, Economics, Education & Legislation” ISBN: 978-619-7105-39-1 / ISSN: 1314-2704, DOI: 10.5593/sgem2015, Albena, Bulgaria, B51, 2015, vol. I	11-18
3	Nikolaishvili D. Matchavariani L.	Impacts of Climate Change on Georgia’s Mountain Ecosystems. Chapter 10 in book: “Climate Change Impacts on High-Altitude Ecosystems”	Springer International Publishing Switzerland, 2015. ISBN 978-3-319-12858-0; ISBN 978-3-319-12859-7 (eBook). DOI 10.1007/978-3-319-12859-7	245-275
4	Khatisashvili G. Matchavariani L. Gakhokidze R.	Soil Remediation & Plants: Prospects and Challenge. Chapter 19 in book: „Improving Phytoremediation of Soil Polluted with Oil Hydrocarbons in Georgia“	Elsevier - AMSTERDAM • BOSTON • HEIDELBERG • LONDON • NEW YORK • OXFORD • PARIS • SAN DIEGO • SAN FRANCISCO • SINGAPORE • SYDNEY • TOKYO, 2015. ISBN: 978-0-12-799937-1	547-569
ანოტაციები (ქართულ ენაზე)				
1. საქართველოს ნიადაგების ძირითადი გეოგრაფიული პარამეტრების გამოვლენისას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ნიადაგწარმოქმნელი პროცესების (ჰუმიფიკაცია, გალეხება, გარკინიანება, ლესივირება, გათიხება, გაკარბონატება) მიკრომორფოლოგიურ დიაგნოსტირებას. თითოეული გენეტიკური ტიპისათვის გამოვლენილია ყველაზე დამახასიათებელ პროცესთა ჯგუფები: შავმიწა, ყავისფერ და მთელოს ყავისფერ ნიადაგებში გავრცელებული პროცესებია – ჰუმიფიკაცია-გალეხება-გაკარბონატება; რუხ-ყავისფერ, მდელოს რუხ-ყავისფერ და დამლაშებულ (ბიც, ბიცობ) ნიადაგებში – გაკარბონატება გალეხებისა და ლესივაჟის მონაწილეობით; ყვითელმიწა, სუბტროპიკულ ეწერ და ეწერ-ლებიან ნიადაგებში – ლესივაჟი-გალეხება-გარკინი-				

ანება; წითელმიწა და ალუვიურ ნიადაგებში – ლესივაჟი-გარკინიანება; მთის შავმიწებში ჰუმიფიკაცია-გათიხება; ყომრალებში – გათიხება გარკინიანებისა და ლესივაჟის მონაწილეობით; მთა-მდელოს ნიადაგებში – ლესივაჟი, ნაწილეობრივ გალეხება. შექმნილია კარტოგრაფიული მასალა, რომელიც ასახავს პროფილისმაფორმირებელი პროცესების გავრცელებასა და ინტენსურობას საქართველოს ნიადაგებში.

2. ცნობილია, რომ წყალი დიდ გავლენას ახდენს მოსახლეობის სიცოხლის უნარიანობაზე, ამიტომ მოწოდებული წყლის რაოდენობისა და ხარისხის პრობლემა დიდ როლს ასრულებს ადამიანის ჯანმრთელობაზე. სამწუხაროდ, საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი იძულებულია ისარგებლოს წყლით, რომელიც არ შეესაბამება სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს. სასმელი წყლის დიდი ნაწილი დასახლებულ პუნტებში გამოედინება წყალსაცავებიდან, რომლებიც ივსება მდინარეებიდან, ან ტბებიდან, რომლებიც წვიმის წყლის, თოვლის ან მყინვარის მდნარი წყლის შემკრებებს წარმოადგენენ. ისინი ძირითადად დაბინძურებულია რამდენიმე ქიმიური და ორგანული ნივთიერებით, სხვადასხვა ნბაქტერიითა და მიკროორგანიზმით, რაც ნაწლავების დაავადებებს იწვევს. ამდენად, აქტუალური გახდა პრობლემა, რომელიც უკავშირდება საკითხს, თუ როგორ უნდა შემცირდეს წყლის დაბინძურება და თავიდან იქნას აცილებული ქლორირებული სასმელი წყლის მავნე ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე. ამ მიზნით ჩატარებული სამუშაო წარმოადგენს ქლორის ოპტიმალური დოზის განსაზღვრის მცდელობას სასმელი წყლის პათოგენური ბაქტერიებისგან დეზინფექციივის წყალმომმარაგებელ რეზერვუარებში, მაშინ როდესაც დამაბინძურებელი ორგანული ნივთიერება არსებობს წყალსაცავში.

3. კვლევის მიზანს წარმოადგენდა კლიმატის ცვლილების გავლენის დადგენა საქართველოს მთიან ლანდშაფტებზე და კონკრეტული საშიშროების წინაშე მყოფი ძლიერ მგრძნობიარე ლანდაფტების იდენტიფიცირება. გამახვილებულია ყურადღება საქართველოს ლანდშაფტის წარმოქმნელ ოროგრაფიულ-კლიმატურ ფაქტორებზე, მთიანი ტერიტორიების ლანდშფტურ მრავალფეროვნებასა და ტერიტორიულ განაწილებაზე, ფიტომასებსა და ნიადაგურ პირობებზე, ეკოლოგიურ ფუნქციებსა და ანთროპოგენურ ტრანსფორმაციაზე. გაანალიზებულია ჰაერის ტემპერატურის, ნალექების, გვალვების, ქარებისა და სხვა გეოგრაფიული პირობების დინამიკა. შეფასებულია საქართველოში კლიმატის ცვლილებისადმი ლანდშაფტთა მგრძნობელობა.

4. საქართველოში ბაქო-სუფსისა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენები სერიოზულ საშიშროებას უქმნის ნიადაგის დაბინძურებას ნავთობის ნახშირწყალბადებით, რაც საჭიროებს სპეციალური ეკოლოგიური ტექნოლოგიის შექმნას. დურმიშიძის სახ. ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიების ინსტიტუტში, ნიადაგის ფიტორემედიაციისთვის შემუშავდა კომბინირებული გამოყენება სპეციალურად შერჩეული მცენარეებისა და მიკროორგანიზმების. ფიტორემედიაციის მიზნობრივი ტექნოლოგიის შემუშავებისას, მილსადენების გასწვრივ შესწავლილია ნიადაგის ტიპები. თითოეული ნიადაგისათვის შეფასებულია ნავთობის ნახშირწყალბადის საერთო რაოდენობის გრუნტის წყლებში მოხვედრის რისკის დონე. შერჩეული მიკროორგანიზმებისა და მცენარეების გამოყენებისას, გამოვლინდა ნახშირწყალბადის ეფექტური მოცილება ნიადაგიდან.

სტატიები

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის / კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1	Matchavariani L. Kalandadze B. Lagidze L. Gokhelashvili N. Sulkhanishvili N. Paichadze N.	Soil Quality Changes in Response to their Pollution of Heavy Metals in Georgia. Journal of Environmental Biology	Special Issue: "Ecology, Geography & Environment in the Mediterranean", 2015, vol. 36	Triveni Enterprises IF: 0.88 Indexed in: Thomson Reuters	85-90
2	Lagidze L. Matchavariani L. Tsivtsivadze N. Paichadze N. Motsonelidze N.	Medical Aspects of Atmos-phere Pollution. Journal of Environmental Biology.	Special Issue: "Ecology, Geography & Environment in the Mediterranean", 2015, vol. 36	Triveni Enterprises IF: 0.88 Indexed in: Thomson Reuters	101-106
3	Basilashvili Ts. Matchavariani L. Lagidze L.	Desertification Risk in Kakheti Region, East Georgia. Journal of Environmental Biology.	Special Issue: "Ecology, Geography & Environment in the Mediterranean", 2015, vol. 36	Triveni Enterprises IF: 0.88 Indexed in: Thomson Reuters	33-36
4	Matchavariani L. Nikolaishvili D.	Forms and Extent of Ferru-gination in Soils of Georgia. American Journal of Environmental Protection.	Special Issue: „Applied Ecology: Problems, Innovations", 2015, vol. 4, #3-1	Science Publishing Group	157-161
5	Kereselidze D. Matchavariani L. Trapaidze V. Lagidze L. Svanadze D. Bregvadze G. Gulashvili Z.	Quantitative Assessment of Permissible Loads on Georgia's Soil. American Journal of Environmental Protection.	Special Issue: „Applied Ecology: Problems, Innovations", 2015, vol. 4, #3-1	Science Publishing Group	29-33
6	Lagidze L. Matchavariani L. Kereselidze D. Tsivtsivadze N. Paichadze N.	The Influence of Meteoro-logical Conditions on Atmospheric Pollution in Georgia. American Journal of Environmental Protection.	Special Issue: „Applied Ecology: Problems, Innovations", 2015, vol. 4, #3-1	Science Publishing Group	67-71
7	Tsivtsivadze N. Matchavariani L. Lagidze L. Motsonelidze N. Ivanov G. Paichadze N.	Modern Conceptual & Technological Approaches to the Georgia Black Sea Coastline Protection. J. Earth Sciences.	Special Issue: "Modern Problems of Geography & Anthropology", 2015, vol. 4, #5-1	Science Publishing Group	46-53
8	Nikolaishvili D. Salukvadze E. Bolashvili N. Chikhradze N. Matchavariani L.	Anthropogenic Transfor-mation of Landscapes of Colhis Lowland & Surrouning Foothils. J. Earth Sciences.	Special Issue: "Modern Problems of Geography & Anthropology", 2015, vol. 4, #5-1	Science Publishing Group	68-72
9	Kereselidze D. Matchavariani L. Trapaidze V.	Evaluation & Management of the Risk of Flooding River Bank. Engineering Geology	2015, vol.3: River Basin, Reservoir Sedimentation &	Springer International Publishing	463-469

	Lagidze L., et.al.	for Society & Territory,	Water Recourses	Switzerland	
10	Meladze G. Meladze M.	Impact of Global Warming on the Vegetation Durable & Distribution Area of Crops in the Humid Subtropical & Mountainous Regions of Georgia. J. Earth Sciences.	Special Issue "Modern Problems of Geography & Anthropology", 2015, vol. 4, #5-1	USA, Science Publishing Group	162-167
11	Elizbarashvili N. MeladzeG. Meladze M. Svanadze D. Gadrani L. Lazarashvili J.	Some Urgent Issues of Georgia's Geography. J. Earth Sciences.	Special Issue "Modern Problems of Geography & Anthropology", 2015, vol. 4, #5-1	USA, Science Publishing Group	1-7
12	Kalandadze B. Trapaidze V. Lagidze L. Laoshvili Z. Kalandadze I.	Role of Irrigation Farming in the Perspective Development of Agriculture in Samtskhe Region. J. Earth Sciences.	Special Issue: "Modern Problems of Geography & Anthropology", 2015, vol. 4, #5-1	Science Publishing Group	13-18
13	Lagidze L. Trapaidze V. Kalandadze B.	Impact of the Relief on the Territorial Distribution of the Precipitations on the Example of Samtskhe-Javakheti. J. Earth Sciences.	Special Issue: "Modern Problems of Geography & Anthropology", 2015, vol. 4, #5-1	Science Publishing Group	91-98
14	Nikolaishvili D. Trapaidze V. Kalandadze B. Mamukashvili T. Sharashenidze M.	Complex evalvation of climate change – an example from Georgia's Landscapes. Journal of Environmental Biology.	Special Issue: "Ecology, Geography & Environment in the Mediterranean" 2015, vol. 36	Triveni Enterprises IF: 0.88 Indexed in: Thomson Reuters	43-49

ანოტაციები (ქართულ ენაზე)

1. ნიადაგი, რომელიც ბუნების ელემენტების ურთიერთმოქმედებით ყალიბდება, ლანდშაფტის ყველაზე ინფორმაციული შემადგენელია. ამიტომ, ყველა ის ანთროპოგენური და ბუნებრივი პროცესი, რომლებსაც ადგილი აქვს კონკრეტულ ეკოსისტემებში, ყველაზე აქტიურად სწორედ ნიადაგში აისახება. ნიადაგი, ამასთანავე, ბუნების ყველაზე სპეციფიკური და რთული კომპონენტია. მისი დაბინძურების შემთხვევაში, საწყისი ბალანსის აღდგენა პრაქტიკულად შეუძლებელია. ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა არის გარემოს დაბინძურება მძიმე ლითონებით. კვლევის მთავარი მიზანი იყო მძიმე ლითონების შემადგენლობის, მიგრაციისა და დაგროვების შესწავლა საქართველოს სარწყავ ნიადაგებში, მცენარებში და ნაწილობრივ ბუნებრივ წყლებში; ასევე, დაბინძურების შესაძლო წყაროებისა და მათი გავლენის დადგენა რეგიონის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე. შესწავლილია სამთო-მომპოვებელ და გადამამუშავებელი საწარმოს მიმდებარე სარწყავ ნიადაგებში ტოქსიკური ელემენტების შედგენილობა. გამოვლენილია მძიმე ლითონების სხვადასხვა კონცენტრაცია. კვლევებმა აჩვენა, რომ ნახევარზე მეტი ტერიტორია სერიოზულადაა დაბინძურებული სპილენძითა და თუთიით. ზოგიერთი ტერიტორია შეიძლება კატასტროფულად დაბინძურებულად ჩაითვალოს. ადგილი აქვს ტექნოგენეზს, რომელიც ირიგაციის ზემოქმედებაზე მიუთითებს, ვინაიდან, ეს ტერიტორიები ინტენსიურად ირწყვება მდინარეებისა და არხების წყლებით, რომლებიც ბინძურდება მომპოვებელი საწარმოდან გამომდინარე წყლით. ჩამდინარე წყალი გამოედინება საწარმოდან და სარწყავი სისტემის მეშვეობით ხვდება ნიადაგში. კვლევამ აჩვენა, რომ ძირითადი დამაბინძურებელი მძიმე ლითონებია: სპილენძი, თუთია, მანგანუმი, რომლებიც აქტიურ უარყოფით გავლენას ახდენენ ნიადაგის თვისებებზე, მის შემადგენლობაზე და ნიადაგწარმოქმნელ პროცესებზე. ეს განსაკუთრებით კარგად აისახება ნიადაგების ჰიდრო-

ფიზიკური პოტენციალის გაუარესებაზე, ცვლის ნიადაგის pH-ს, ირღვევა დაბალანსებული კორელაცია მყარ, თხევად და გაზობრივ ფაზებს შორის. უკიდურესად დაბინძურებულ ნიადაგებში ადგილი აქვს შეცემენტების პროცესს და ნიადაგის მკვეთრად გაზრდილ სიმჭიდროვეს, გუარესებულ ფორიანობას და კრიტიკულად დაბალ წყალგამტარობას.

2. კლიმატის ცვლილების გავლენა ეკოსისტემებზე და სათბურის გაზების მომატება ატმოსფეროში, 21-ე საუკუნის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. ატმოსფეროს შემადგენლობა საგრძნობლად შეიცვალა ინტენსიური ტექნოგენური დაბინძურების გამო. აეროზოლების (მყარი, თხევადი და გაზის) კონცენტრაციის მატება სერიოზულ ზეგავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე და ქმნის სასიცოცხლო რისკ-ფაქტორების რისკს. მიუხედავად კლიმატის ცვლილების გლობალური ხასიათისა, მისი ინტენსივობა და გავლენის მასშტაბი ხასიათდება რეგიონების გეოგრაფიული მდებარეობის ადგილობრივი სპეციფიკითა და მეტეოროლოგიური ფაქტორებით. გარდა ამისა, შეფასებულია ქ. თბილისისათვის მეტეოროლოგიური და ეკოლოგიური პირობების გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე. გამოვლინდა ურთიერთობა დამაბინძურებლებსა და მეტეოროლოგიური ფაქტორებს შორის: განსაკუთრებით გაზის დამაბინძურებელი მჭიდრო კორელაციაშია ყველა სხვასთან, რომელიც არის მათი ფოტოქიმიური აქტივობის შედეგი; დადებითი კორელაციური კავშირია (0.65; 0.69) ჰაერის ტემპერატურასა და დამაბინძურებელ შემადგენელს შორის; ყველა დამაბინძურებელი უკუკორელაციაშია შეფარდებით ტენიანობასთან, ჰიდროლიზის უნარის გამო. მრავალფაქტორული სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე, განისაზღვრა კორელაციური კავშირი სასწრაფო დახმარების გამოძახებებს, ამინდის ტიპებს, ატმოსფეროს დაბინძურების ინდექს, მიწისპირა ოზონის რაოდენობასა და დედამიწის მაგნიტურ ველს შორის. ატმოსფეროს დაბინძურებისას ანთროპოგენური მტვერით, ნახშირბადით, გოგირდისა და აზოტის ოქსიდებით, მიწისპირა ოზონის რაოდენობამ თბილისში მნიშვნელოვნად გადააჭარბა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას, რაც აისახება ადამიანის ჯანმრთელობაზე.

3. ქვეყნის განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული წყლის რესურსების მოხმარებაზე. საქართველო გამოირჩევა ჰიდრორესურსების სიმდიდრით, მაგრამ მათი არათანაბარი განაწილების გამო, წყლის მოთხოვნილება ხშირად არ ემთხვევა წყალმომარაგებას. ეს იწვევს მწვავე დეფიციტურ სიტუაციას. გლობალური კლიმატის ცვლილების გამო, მოსალოდნელია, რომ მტკნარი წყლის ოდენობა შემცირდეს საქართველოში. სწორედ ამიტომ, აუცილებელია წყლის რესურსების კომპლექსური მიდგომის გამოყენება წყალსაცავების მეშვეობით, რომელიც დიდი ეკონომიკური ეფექტის მიღწევის შესაძლებლობას იძლევა. საქართველოში არსებული ჰიდრო-ობიექტების მთავარი კომპონენტებია: ენერგიის წარმოება, ირიგაცია, წყალმომარაგება, წყალდიდობების რეგულაცია, რეკრეაცია, ტურიზმი, სპორტი. წყალდიდობების შევსება მთიანი რელიეფის პირობებში ხორციელდება გაზაფხულზე თოვლისა და მყინვარების დნობისას. საქართველოში, როგორც მთიან ქვეყანაში, უხვ წვიმებს აქვს ადგილი, რაც იწვევს მდინარეების კატასტროფულ დატბორვას. ზაფხულში და ზამთარში წყლის რაოდენობა 10-ჯერ მცირდება და სარწყავი წყლის მიწოდება და ენერგიის წარმოება ფერხდება. ამგვარად, წყლის ნაკლებობა, ისევე, როგორც მისი ჭარბი რაოდენობა, იწვევს ზარალს.სწორედ ამიტომაა საჭირო წყალსაცავებში წყალი რაოდენობის პროგნოზირება წლის სხვადასხვა პერიოდში. მაგრამ, კომპლექსურა, მთიან ტერიტორიებზე ოპერატიული ჰიდრომეტეოროლოგიური მონაცემები არასაკმარისია თანამედროვე მათემატიკური მეთოდების გამოსაყენებლად. შემუშავებულია პროგნოზირების მრავალ-ფაქტორული სტატისტიკური მოდელი, რომელიც სხვადასხვა მათემატიკური მეთოდებისა და კრიტერიუმები საშუალებით, შესაძლებელია ერთდროულად გამოკვლეულ იქნას პროგნოზების ზრდის დროულობა და მათი სიზუსტის ხარისხი. ეს მეთოდი უნივერსალურია მათი ალგორითმებისა და კომპიუტერული პროგრამების გამო, და შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა სტატისტიკურ კვლევებში. მათი გამოყენებით მივიდეთ მეთოდოლოგიას, მოკლე და გრძელვადიანი პროგნოზებისათვის, საქართველოს ძირითად წყალსაცავებში ჩამდინარე წყლის თვისებებზე, რათა შემდგომში მოხდეს ოპტიმალური დაგეგმარება და წყლის რესურსების შეუფერხებელი და უსაფრთხო ექსპლუატაციის რეგულირება.

4. გარკინიანება, როგორც ერთ–ერთი ყველაზე დამახასიათებელი პროცესი საქართველოს ნიადაგებში, შესწავლილ იქნა როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი თვალსაზრისით

პოლარიზაციულ–ინტერფერეციული მიკროსკოპის გამოყენებით. გამოკვლეულია ზოგიერთი ნიადაგური ფაქტორი, რომლებიც განაპირობებენ რკინის წარმონაქმნების გენეზისს დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველოს ნიადაგებში. ეს პროცესი მიკრომორფოლოგიურად დიაგნოსტირდება სხვადასხვა ფორმის რკინის წარმონაქმნების არსებობით, რკინის კონცენტრაციის, ან რკინის კრისტალიზაციის ხარისხით, რკინის ჰიდროჟანგებისგან პლაზმის გარკინიანებული მიკროზონების გაჟღენთვით და სხვ. შექმნილია რუკა, რომელიც ასახავს საქართველოს ნიადაგებში გარიკინიანების პროცესის გავრცელაბასა და ინტენსიურობას.

5. ნაშრომის მიზანია საქართველოს ნაყოფიერი ნიადაგების მდგომარეობის რაოდენობრივი შეფასება და საშიში სიტუაციების დადგომის რისკის გაანგარიშების მიახლოებით (ალბათური) მეთოდების შემუშავება. ასეთი მეთოდების აუცილებლობას კარნახობს ნიადაგების შენარჩუნება მინიმალური დანაკარგებით, რომელიც თავის მხრივ ხელს შეუწყობს გარემოსთან კაცობრიობის ჰარმონიულ თანამცხოვრებას და მდგომარეობის რადიკალურ გაუმჯობესებას. ნიადაგის დეგრადაციის დასაშვები ნორმების დადგენა საშუალებას იძლევა დავიცვათ ნიადაგი მატების ტენდენციის მქონე კატასტროფული გარეცხვებისგან, ამასთან მათი საშუალებით შესაძლებელია იმ გადაწყვეტილებათა მიღების კრიტერიუმების ფორმულირება რომელთა საშუალებით დაიგეგმება ნიადაგის დაცვისა და აღდგენის ღონისძიებები. საქართველოს ძირითადი ნიადაგებისათვის განსაზღვრულ იქნა დრო, რომლის განმავლობაშიც თითოეული ნიადაგი აღწევს დეგრადაციის ზღვრულ მნიშვნელობებს.

6. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, ატმოსფერომ, როგორც გარემოს ერთ–ერთმა ძირითადმა კომპონენტმა, მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა კლიმატის ცვლილება და მისი ზემოქმედება ადამიანსა და გარემოზე. სტატიაში აღწერილია აეროზოლებისა და მავნე ნივთიერებების გამონაბოლქვის დინამიკა საქართველოს რეგიონებისა და ქალაქების მიხედვით 2001–2010 წლებში. „სათბური გაზების“ ემისიის დინამიკა ტრანსპორტის სექტორში ცალკეა შეფასებული. 2010 წლისთვის, საქართველოში მოქმედი ქარხნებიდან სამრეწველო ნარჩენებმა 30134 ათასი ტონა შეადგინა წელიწადში. მათ შორი: მყარი დამაბინძურებლები – 3658 ათ. ტ., თხევადი და გაზობრივი – 26476 ათ. ტ. ყველაზე დაბინძურებულია იმერეთი, ქვემო ქართლი, აჭარა და შიდა ქარტის ზოგიერთი რეგიონი, რომლებიც 89%–ს შეადგენენ. ყველაზე დაბინძურებული ქალაქებია: ბათუმი, თბილისი, გარდაბანი, რუსთბვი და კასპი, რაც იქვევს აეროზოლების ემისიის 69%-ს. ყველაზე დამაბინძურებელი წყაროებია: ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკის სექტორი და მრეწველობა. შეფასებულ იქნა მეტეოროლოგიური პირობების გავლენა ატმოსფეროს დაბინძურებაზე თბილ და ცივ სეზონებზე. გამოვლენილია კორელაცია მეტეოროლოგიურ ელემენტებსა და ატმოსფეროს დამაბინძურებელ ინგრედიენტებს შორის. საქართველოს ფიზიკურ–გეოგრაფიული კომპლექსები (მაღალი მთები, დახურული ხეობები, მდიდარი წყლის რესურსები), ისევე როგორც მეტეოროლოგიური პირობები (სინოპტიკური პროცესები, ინვერსია, იზოთერმია) განაპირობებენ ნიადაგებში აეროზოლების დაგროვებას და მიკროკლიმატის შესაძლო ცვლილებას.

7. მსოფლიოს საზღვაო ქვეყნების (მათ შორის საქართველოს) ეკონომიკური განვითარება პირდაპირ კავშირშია სანაპიროს ეკოლოგისთან და ქვეყანაში მიმდინარე ბუნებრივ და ანთროპოგენურ პროცესებთან, რომლებიც განსაზღვრავს მის მდგრადობას და ექსპლუატაციის შესაძლებლობებს. სანაპირო ზონაში განლაგებულია ურბანიზებული ტერიტორიები, სასოფლო-სამეურნეო მიწები, ავტომაგისტრალები, დასასვენებელი კომპლექსები. სამწუხაროდ, სანაპიროს დაცვითი ღონისძიებების არაეფექტურობამ და შეზღუდულმა დაფინანსებამ გამოიწვია საქართველოს სასაზღვრო ზოლის ეროზია. სანაპიროზე არ შეიძლება იყოს განხილული, როგორც იზოლირებული ორგანო, რადგან ის არის ნაწილი ერთიანი ბუნებრივი სისტემისა. ამიტომ, ბუნებრივი მოვლენების, ან ტექნოგენური ზემოქმედებით გამოწვეული ცვლილებები აისახება მეზობელი ქვეყნების სანაპიროებზეც. მთლიანობაში, ადამიანის ჩარევა ბუნებრივ პროცესებში (პლაჟების ნატანის მოხსნა, სამდინარო არხების რეგულირება, კაშხლებისა და წყალსაცავებისს ასევე საპორტო ნაგებობების კონსტრუირება სანაპირო ზოლში) არა მხოლოდ აუმჯობეს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, არამედ მიმდინარე ბუნებრივ მოვლენებთან ერთად, ზღვის დონის აწევის გამო, აქტიურდება ქარიშხლები, მიწის წყალდიდობები, პროვოცირდება სანაპიროს ეროზიის ზრდის ტენდენცია,

აქტიურდება პლაჟების გაუჩინარება, რაც ემუქრება იქ განლაგებული ინფრასტრუქტურის განადგურებას და დიდ მატერიალურ ზარალს, რომლის აღდგენაც რამდენიმე მილიარდ აშს დოლარს საჭიროებს. განხილულია საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს ეროზიის პრობლემა და ყველა საჭირო ზომა მისი დაცვისათვის კონცეპტუალური მიდგომების საფუძველზე, რომელიც ასევე გულისხმობს ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას და პლაჟების დაცვის მეთოდებს. ამ წინადადების პრაქტიკაში განხორციელების შემთხვევაში, დაგეგმილი კვლევის შედეგები შეიძლება ფართოდ იქნას გამოყენებული ნებისმიერი ზღვის როგორც ქვიშიანი, ისე ქვიშიან-ხრეშიანი პლაჟებისთვის.

8. სხვადასხვა მონაცემებზე დაყრდნობით, გამოვლენილია კოლხეთის დაბლობისა და მიმდებარე მთისწინების ანთროპოგენური ტრანსფორმაცია. რამდენიმე რუკის გამოყენებით (მცენარეული, ლანდშაფტური, ტოპოგრაფიულოი), რომლებიც სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებს ასახავენ, განსაზღვრულია მათი ცვლილების ხარისხი. მონაცემთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ კოლხეთის ლანდშფტების ანთროპოგენური ტრანსფორმაციას მრავალფეროვანი ხასიათი აქვს და ეს მრავალფეროვნება დაკავშირებულია მრავალ ფიზიკურ-გეოგრაფიულ და ადამიანურ ფაქტორთან.

9. კლიმატის ცვლილება იწვევს ჰიდროლოგიური ციკლის ინტენსიფიკაციას და ექსტრემალური მოვლენების გააქტიურებას. დატბორვის რისკის შეფასება, მისი პროგნოზირება და ჰიდროლოგიური პროფილაქტიკა წარმოადგენენ ძირითად საშუალებას წყალდიდობის შედეგების შესარბილებლად. წყალდიდობის რისკი გულისხმობს წყალდიდობების შექმნის ალბათობას და ზემოქმედების შედეგებს ბუნებრივ და ეკონომიკურ ობიექტებსა და მოსახლეობაზე. შემთხვევითი პროცესების თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის მეთოდების ერთიანობა ამ პრობლემის რაციონალური გადაჭრის შესაძლებლობას იძლევა. არსებობს სამი განსხვავებული პრობლემა, რომლებიც იქმნება წყალდიდობის დროს: ჰიდროტექნიკური ნაგებობების საიმედობა, მდინარეთა ხეობების გადავსება და დატბორვა; ნაპირების გადარეცხვა. დატბორვის რისკის შეფასებისას მთავარ ამოცანას წარმოადგენს წყლის კრიტიკული დონე მდინარის გადადინებისას, ზარალის შეფასება სხვადასხვა სიტუაციაში. დატბორვის რისკის შეფასებისას, შეთავაზებულია მაქსიმალური ვარდნის გაანგარიშებები თვეების მიხედვით, რაც უფრო პროგნოზირებადია, ვიდრე სეზონული და წლიური მაქსიმუმები. ყოველთვიური ნაკადების პროგნოზული მოდელები შემუშავებულია ბევრ მდინარეზე და წარმატებით მუშაობს. გაანგარიშებები იმედს იძლევა უფრო ეფექტური პროგნოზული მოდელების შესამუშავებლად.

10. დასავლეთ საქართველოს აჭარის ტენიანი სუბტროპიკული ზონის და აღმოსავლეთ საქართველოს სამცხე-ჯავახეთის მთიანი რეგიონების სავეგეტაციო პერიოდისათვის გამოვლენილი იქნა აქტიურ ტემპერატურათა და ატმოსფერული ნალექების ჯამების და სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობის მატებისა და კლების ტენდენციები. აჭარის ტენიან სუბტროპიკულ ზონაში ტემპერატურის ჯამის მატების ტენდენციამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში (1956-2005) შეადგინა 52°C. აღნიშნული ტემპერატურის მატების რეჟიმით, 2050 წლისათვის აქტიურ ტემპერატურათა ჯამი აღემატება 100°C, რაც ხელსაყრელი აღმოჩნდება აგროკულტურებისათვის. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში აქტიურ ტემპერატურათა ჯამის მატების ტენდენციამ 125°C შეადგინა. 2050 წლისათვის იგი შესაძლოა გაორმაგდეს და ჯამში მიაღწევს 3192°C, რაც გააუმჯობესებს აგროკულტურების პროდუქტიულობას, შესაბამისი ირიგაციის ფონზე. აჭარის რეგიონში საბაზისო და მომავლის (2020-2050) სცენარის მიხედვით ჰაერის ტემპერატურის 1°C-ით მატების გათვალისწინებით გამოყოფილია 4 მიკროზონა, ხოლო სამცხე-ჯავახეთის რეგიონისათვის საბაზისო და მომავლის სცენარის მიხედვით ტემპერატურის 2°C-ის მატებით გამოყოფილია 4 აგროკლიმატური ზონა.

11. პრაქტიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე, განიხილება ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა მიწათსარგებლობის ახალი ორიენტაცია და რეგიონების ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ოპტიმალური გამოყენება, დემოგრაფიული სტაბილურობა და მთიანი ტერიტორიების განვითარება. ქვეყნის განვითარების პერსპექტივებს უკავშირდება ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა გლობალური ეკოლოგიური პრობლემები და გეოსისტემათა მდგომარეობების პროგნოზირება და ეკოლოგიურად დაძაბული ტერიტორიების

ლანდშაფტური დაგეგმარება.

12. სამცხეში მეურნეობის დარგებიდან უმნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობა, რომლის წარმოების თვალსაზრისით რეგიონს მაღალი პოტენციალი აქვს. ამაზე მიუთითებს საკმაოდ ნაყოფიერი და მრავალფეროვანი ნიადაგები. სამცხეში ნაყოფიერებით გამოირჩევა ტყის ყავისფერი, მდელოს ყავისფერი, რუხი ყავისფერი და ტყის ყომრალი ნიადაგები. მათ წილად მოდის სასოფლო სამეურნეო სავარგულების ძირითადი ნაწილი. აქ არსებული მცირე ზომის სარწყავი არხები საქართველოს და მთლიანად კავკასიის მთიანი რაიონების სარწყავი არხების ანალოგიურია. მათი ზომა, ნაგებობა, წყალმგამტარიანობა და რწყვის ეფექტიანობა შეხამებულია მთიანი რელიეფის პირობებთან, აქაური სარწყავი არხები თავისი გამტარუნარიანობით მცირე ზომისანი არიან, უმრავლესობა გრუნტის, ან მოუპირკეთებელი კალაპოტისაა. მელიორაციული სისტემების მოწესრიგება და აქ გავრცელებული ნიადაგები, შესაძლებელს გახდის მნიშვნელოვნად გაიზარდოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოსავლიანობა.

13. ატმოსფერული ნალექები კლიმატის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია, რომელიც გავლენას ახდენს ჰავაზე და განაპირობებს მცენარეთა ტენით უზრუნველყოფის ხარისხს. ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა სამცხე-ჯავახეთში 400-1,400 მმ ფარგლებში მერყეობს. მინიმალურია ჯავახეთის ზეგანსა და ახალციხის ქვაბულში, მაქსიმალური - აჭარა-იმერეთისა და არსიანის ქედების მაღალმთიან ზონაში. ჯავახეთის პლატოზე სიმაღლის მიხედვით, ნალექები ჯერ მცირდება, შემდეგ იზრდება. მდ. ფარავნის აუზში ზ.დ. 1,400 მ-ზე საშუალოდ ყოველ 100 მ-ზე ნალექები მცირდება 6-17 მმ-თ, ხოლო 1,400 მ ზევით, ჯერ მცირედ (4-20 მმ), შემდეგ მნიშვნელონად იზრდება (100 მ-ზე 44-76 მმ-ით). ერთი თვის განმავლობაში მოსული ნალექების მაქსიმალური რაოდენობა წლის ცივ პერიოდში 202 მმ, უმცირესი - 0.1 მმ. სიმაღლის მიხედვით იცვლება ნალექების განაწილებაც. დაბალ ნაწილში თხევადი ნალექებზე მოდის 75%, მყარიზე18%, შერეულზე 8%; მაღალმთიანში შესაბამისად 60%, 31% და 9%. მაღალმთიანეთში ნალექები მყარი სახით მთელი წლის განმავლობაშია, დაბალ ნაწილებში - სექტემბრიდან მაისამდე. თბილ პერიოდში მოსული ნალექების რაოდენობა იცვლება 380-დან 621 მმ-მდე, ცივ პერიოდში 140-დან 328 მმ-მდე. ნალექების ტერიტორიულ განაწილებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს რელიეფის ფორმები. რეგიონი ყოველი მხრიდან შემოსაზღვრულია მაღალი ქედებით, რომელიც ატმოსფეროს ცირკულაციურ პროცესებს გარდაქმნის და აფერხებს ჰაერის მასების თავისუფალ გადაადგილებას. ამიტომ რეგიონში ჰაერის მასები დაღმავალი ხასიათისაა, მასში ტენის რაოდენობა მცირდება (შეზღუდულია კონდენსაცია), შედეგად სამცხე–ჯავახეთის ძირითად ტერიტორიაზე მცირე ნალექი მოდის. რეგიონში ნალექების წლიური განაწილების კონტინენტური ტიპია გაბატონებული.

14 ნაშრომის მთავარი მიზანია საქართველოს ლანდშაფტების სივრცე-დროითი მოდელის მეთოდოლოგიური საფუძვლის შემუშავება, რომელიც საშუალებას გვაძლევს დადგინდეს სხვადასხვა ლანდშაფტში მიმდინარე ტენდენციები, როგორიცაა ჰუმიდურობა/არიდულობა, ბიოპროდუქტიულობის ზრდა-შემცირება და სხვ. საქართველოს ლანდშაფტთა კადასტრული მონაცემების, გის-ტექნოლოგიებისა და თემატური კარტოგრაფირების საფუძველზე ლანდშაფტში მიმდინარე ძირითადი ტენდენციები გამოვლინდა. კლიმატის ცვლილება ლანდშაფტებში რამდენიმე მაჩვენებლით შეფასდა: ტყიანობა, სასოფლო-სამეურნეო-სავარგულები, ფრაგმენტაცია, მცენარეთა პროდუქტიულობა.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Matchavariani L.	Evaluation of Landscapes'	International Conference "Applied Ecology:

	Nikolaishvili D.	Sensitivity in Georgia according to Geomorphologic & Edaphic Factors	Problems, Innovations" ICAE-2015 7-10 May, 2015, Tbilisi-Batumi http://icae-2015.tsu.ge/
2	Matchavariani L. Metreveli G. Tsivtsivadze N.	Modern methods for realization of joint problems of hydro-energetic and shore protection	The First SDSU–Georgia STEM Workshop on Nanotechnology & Environmental Sciences. 5 Sept., 2015, TSU http://sdsu-georgia.stem.2015.tsu.ge/en/
3	Tsivtsivadze N. Kereselidze D. Matchavariani L. Lagidze L., Motso-nelidze N. Ivanov G.	Preventive Measures for Georgian Black Sea Coast Erosion	The First SDSU–Georgia STEM Workshop on Nanotechnology & Environmental Sciences. 5 Sept., 2015, TSU http://sdsu-georgia.stem.2015.tsu.ge/en/
4	Matchavariani L. Nikolaishvili D.	A Method of Approach to Landscape Stability According to Topographic Features	Network Conference "Human & Environ-mental Resources in Multiethic Societies", dedicated to the 10 years cooperation of TSU and Justus-Liebeig University, Giessen. 5-7 Nov., 2015, TSU
5	ლ. მაჭავარიანი დ. ნიკოლაიშვილი	გეოგრაფიული ფაქტორების გავლენა ლანდშფტთა მგრძნობელობისშეფასებაზე საქართველოში	მესამე სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში – ზსმ-2015, 2-7 თებერვალი, 2015, თსუ http://conference.ens-2015.tsu.ge/lecture/view/222
6	Nikolaishvili D. Trapaidze V. Kalandadze B. LagidzeL.,Sartania D. Tolordava R.	Landscape Planning of Samtskhe-Javakheti	The First SDSU–Georgia STEM Workshop on Nanotechnology & Environmental Sciences. 5 Sept., 2015, TSU http://sdsu-georgia.stem.2015.tsu.ge/en/
7	Kalandadze B. Nikolaishvili D. Trapaidze V. LagidzeL. Sartania D.	Geo-ecological Problems of Samtskhe-Javakheti Region	Network Conference "Human & Environmental Resources in Multiethic Societies", dedicated to the 10 years cooperation of TSU & Justus-Liebeig University, Giessen. 5-7 Nov., 2015, TSU
8	დ. ნიკოლაიშვილი რ. თოლორდავა	საქართველოს სახელმწიფო საზღვრის რეტროსპექტივა ალ. ჯავახიშვილის შრომების მიხედვით	აკად. ალ. ჯავახიშვილის 140 წლის-თავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია
9	ლ. ლაღიძე, ნ. პაიჭაძე	გეოგრაფიული გარემოს გავლენა რადიოტალღების გავრცელებაზე (სამხრეთ კავკასიის მაგალითზე)	მესამე სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში – ზსმ-2015, 2–6 თებერვალი, 2015, თსუ http://conference.ens-2015.tsu.ge/
10	მელაძე გ. მელაძე მ.	გლობალური დათბობა და აგროკულტურების განვი-თარების ძირითადი მაჩვე-ნებლების და გვალვიანობის მატების ტენდენციები კახეთში	საერთაშორისო კონფერენცია ,გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება". 4-6 ნოემბერი. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია
11	მელაძე მ. მელაძე გ.	გლობალური დათბობით გამოწვეული აგროკლიმატური მაჩვენებლების ცვლილება	საერთაშორისო კონფერენცია ,,გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები".

		ქვემო ქართლის რეგიონში	22-23 ოქტომბერი. თსუ, გეოგრაფიული საზოგადება, გეოგრაფიის ინსტიტუტი
12	მელაძე მ. მელაძე გ.	გლობალური დათბობის გავლენა აგროკულტურების ვეგეტაციის ხანგრძლივობაზე და გავრცელების არეალზე საქართველოს ტენიან სუბტროპიკულ და მთიან რეგიონებში	საერთაშორისო კონფერენცია „გამოყენებითი ეკოლოგია: პრობლემები, ინოვაციები". 7-10 მაისი, თსუ http://icae-2015.tsu.ge/
13	მელაძე მ.	საშემოდგომო ხორბლის აგროეკოლოგიური მაჩვენებლები კლიმატის ცვლილების ფონზე	მესამე სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში – ზსმ-2015, 2–6 თებერვალი, 2015, თსუ http://conference.ens-2015.tsu.ge/
14	მელაძე გ. მელაე მ.	ქედის ტერიტორიაზე გლობალური დათბობის გავლენა მცენარეთა განვითარების ძირითად აგროკლიმატურ მაჩვენებლებზე სავეგეტაციო პერიოდში	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰმი-ის მაისის სესია. „ჰიდრომეტეოროლოგიისა და ეკოლოგიის აქტუალური პრობლემები". 28 მაისი
15	მეტრეველი გ.	El Niño და La Niña ოსცილაციების ზემოქმედება გლობალურ კლიმატზე	გეოფიზიკის ინსტიტუტის მუმდივმოქმები საქალაქო სემინარი 2015 წ. თებერვალი

მოხსენებათა ანოტაციები (ქართულ ენაზე)

1. ლანდშაფტების თანამედროვე მდგომარეობისა და მგრძნობელობის შეფასება გეოგრაფიული კვლევის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. მისი დახმარებით შესაძლებელია, ერთი მხრივ, ლანდშაფტის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის გამოვლენა, მეორეს მხრივ, მიმდინარე ტენდენციების იდენტიფიკაცია. ეს საშუალებას გვაძლევს განისაზღვროს ლანდშაფტის მდგრადობის ხარისხი სხვადასხვა ბუნებრივი და ანთროპოგენური ზემოქმედების მიმართ. ასევე განისაზღვროს, თუ რა ხარისხის „ანთროპოგენურ ზეწოლას" ზოგადად შეუძლია გაუძლოს ლანდშაფტმა. ასეთი კვლევები უზრუნველყოფს სამეცნიერო საფუძველს მდგრადი ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვისათვის. გაანალიზებულია ძირითადი გეომორფოლოგიური და ნიადაგური პარამეტრებირომლის საფუძველზევ მოხდა ლანდშაფტთა მგრძნობელობის დადგენა: ზედაპირის დახრილობა, მიგრაციის რეჟიმის ასიათი, რელიეფის დანაწევრების სიხშირე, ნიადაგწარმოქმნელი ქანების სიმკვრივე და სხვ. დადგინდა, რომ საქართველოს ლანდშაფტები საკმაოდ განსხვავდება მგრძნობელობის მიხედვით. კვლევის შედეგადა: შემუშავდა ლანდშაფტთა მგრძნობელობის კრიტერიუმები გეოგრაფიულ ფაქტორებთან მიმართებაში; დადგინდა ლანდშაფტთა მგრძნობელობის ხარისხი საქართველოს ტერიტორიაზე (ძალიან მგრძნობიარე, მგრძნობიარე, საშუალოდ მგრძნობიარე, დაბალი მგრძნობიარე, ძალიან დაბალი მგრძნობიარე); შემუშავდა საქართველოს ლანდშაფტთა მგრძნობელობის კლასიფიკაცია, შეიქმნა თემატური რუკების სერია; გამოვლინდა ლანდშაფტთა მგრძნობელობის ტერიტორიული განაწილების თავისებურებანი.

2. სანაპირო ზღვის ტალღის გავლენისგან დაცულია მორფოლოგიური ფორმით - პლაჟით, რომელიც შედგება მდინარეული ნალექებით (ქვიშა, ხრეში, კენჭის და ა. შ.) დაგროვილი ფენისგან. იგი მუდმივად იცვლის საკუთარ ზომებს, დამოკიდებულია მდინარისგან მოტანილი ინერტული მასალის სიმრავლეზე და ზღვის ტალღის აქტივობაზე. გარდა ამისა, მასზე გავლენას ახდენს ადამიანის საქმიანობა სანაპირო ზონაში და დამოკიდებულია მდინარის ზემო წელში აგებული წყალსაცავების როგორც ბუნებრივ ჰიდროლოგიურ, ისე ტექნიკურ რეჟიმებზე. ჰიდრო-

ენერგოეფექტურობის სექტორის გაუმჯობესება მძიმე ეკოლოგიურ პრობლემას უქმნის მოსახლეობას. შეთავზებულია პერიოდულად ეროზირებული პლაჟების ხელოვნური შევსება წყალსაცავებში დაგროვილი მდინარეული ნალექით. შედეგად, მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებლის მიღწევაა შესაძლებელი გარემოს დაზიანებისა და დანაკარგების გარეშე. ამ მეთოდის მომხმარებელი შესაძლება იყოს ნებისმიერი ზღვისპირა ქვეყანა, რომელსაც მაღალი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი გააჩნია და სადაც ზღვაში ჩამდინარე მდინარეები გადაკეტილია მთის წყალსაცავებით, რაც სანაპირო ზოლშ ნალექის მკვეთრ დეფიციტს იწვევს.

3. მე-20 საუკუნეში მთელს მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც შეიმჩნევა ნაპირების წარეცხვის არეალების და ინტენსივობის ზრდა დროის მცირე, საინჟინრო პერიოდში, მათ შორის, ტექტონიკური აწევის სტადიაში მყოფ უბნებზეც, რაც აქ განლაგებულ ობიექტებს განადგურებითა და კატასტროფული მატერიალური ზარალით დაემუქრა. საქართველოში გამოყენებული, ნაპირდაცვის ტრადიციული ნაგებობები არა თუ არ იძლეოდნენ რაიმე დადებით ეფექტს, არამედ პირიქით იწვევდნენ სანაპირო ლანდშაფტის ტექნოლოგიური გადატვირთვის ხარისხის ზრდას, უმეტეს შემთხვევაში ხელს უშლიდნენ ნატანის ნაპირ–გასწვრივ გადაადგილებას, ხელს უწყობდნენ მისი ბალანსის დარღვევას და შედეგად სანაპირო ზოლის შევიწროებასა და არსებული პლაჟების- ნაპირდაცვის საუკეთესო მორფოლოგიური ფორმის წარეცხვებს. ნაპირდაცვის ღონისძიებების ჩატარების აუცილებლობის ყოველწლიური ზრდის გამო, წარმოიქმნა მათი ღირებულების შემცირების მნიშვნელოვანი პრობლემა, რომლის გადაწყვეტის რაციონალურ გზას ახალი მეთოდების შესაბამისი ტექნოლოგიების დანერგვა და დაბალფასიანი სამშენებლო მასალის გამოყენება წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ჩვენს მიერ შემოთავაზებული ნაპირის აღდგენა-დაცვის ღონისძიების მეთოდი, ტრადიციულ ნაპირსამაგრ ნაგებობების მშენებლობაზე მნიშვნელოვნად იაფია, არ საჭიროებს დიდ დროს, მისი აგება ადგილზევე შეიძლება, როგორც ნაპირიდან ასევე ზღვიდან. ეროდირებული პლაჟის აღდგენა, განიერის შექმნა, შესაბამისი რეცრეაციული მომსახურების ფართო სპექტრითა და ინფრასტრუქტურით, გაზრდის სანაპიროს მიმზიდველობას, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს დასაქმებულთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და მთლიანობაში ხელს შეუწყობს სანაპირო რეგიონების მდგრად განვითარებას.

4. რაციონალური ბუნებათსარგებლობის ძირითადი კითხვების გადასაწყვეტად ძალზე მნიშვნელოვანია ლანდშაფტების სტაბილურობის განსაზღვრა ტოპოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით. თავის მხრივ, ეს ლანდშაფტის, ბუნებრივი და რესურსული პოტენციალის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა და ამდენად აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. ძირითადი ტოპოგრაფიული მახასიათებლების ანალიზზე დაყრდნობით შეფასდა ლანდშაფტების მგრძობიარობა. ეს მახასიათებლებია მახასიათებლები: ზედაპირის დახრილობა, რელიეფის დანაწევრების ხარისხი, მიგრაციის რეჟიმი, ნიადაგწარმოქმნელი ქანების სიმკვრივე, ნიადაგის სტრუქტურა, მექანიკური შედგენილობა და სხვ. საქართველოს ლანდშაფტების მგრძნობელობა ფასდებოდა როგორც თითოეული პარამეტრისათვის ცალ-ცალკე, ისე კომპლექსურად. გეოგრაფიული ფაქტორების ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველოს ლანდშაფტები განსხვავდება მგრძნობელობის მიხედვით. კვლევის ძირითადი შედეგები: გეოგრაფიულ ფაქტორების გათვალისწინებით ლანდშაფტთა მგრძობელობის შეფასების კრიტერიუმების შემუშავება; რუკების ოვერლეის გამოყენებით, საქართველოს ლანდშაფტთა მგრძობელობის ხარისხის განსაზღვრა; საქართველოში ლანდშაფტთა მგრძნობელობის ტერიტორიული განაწილების თავისებურებების გამოვლენა; შემუშავდა საქართველოს ლანდშაფტთა მგრძნობელობის კლასიფიკაცია; გის-ანალიზზე დაყრდნობით შეიქმნა საქართველოს ლანდშაფტთა მგრძნობელობის თემატური რუკები.

5. ლანდშაფტთა მგრძნობელობის შეფასება შესაძლებელს ხდის: გამოვლინდეს ლანდშაფტის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი და მიმდინარე ტენდენციები; განისაზღვროს ლანდშაფტთა მდრადობის ხარისხი სხვასხვა ბუნებრივ-ანტროპოგენური ზემოქმედებისადმი; დადგინდეს მათი გამძლეობის დონე. მთლიანობაში, ამგვარი კვლევები განაპირობებს ეკოლოგიური ბუნებათსარგებლობის მდგრადობისათვის სამეცნიერო საფუძვლების შემუშავებას. ლანდშაფტთა მგრძნობელობის შეფასება ხორციელდებოდა ძირითადი გეოგრაფიული (მათ შორის ნიადაგური) ფაქტორების ანალიზის საფუძველზე. გაანალიზებულია ისეთი გეოგრაფიული პარამეტრები,

რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ლანდშაფტის მგრძნობელობაზე: ზედაპირის დახრილობა, მიგრაციის რეჟიმი, რელიეფის დანაწევრების ხარისხი, ქანების სიმკვრივე, ნიადაგის სტრუქტურა და მექანიკური შედგენილობა. საქართველოს ლანდშაფტების მგრძნობელობა ფასდებოდა როგორც თითოეული პარამეტრისათვის ცალ-ცალკე, ისე კომპლექსურად. გეოგრაფიული ფაქტორების ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველოს ლანდშაფტები განსხვავდება მგრძნობელობის მიხედვით. გარდა ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში გადამწყვეტი აღმოჩნდა არა ერთი, არამედ რამდენიმე მაჩვენებელი ერთად. ამგვარად, შესწავლის შედეგად: შემუშავდა ლანდშაფტთა მგრძნობელობის კრიტერიუმები გეოგრაფიულ ფაქტორებთან მიმართებაში; დადგინდა ლანდშაფტთა მგრძნობლობის ხარისხი საქართველოს ტერიტორიაზე (ძალიან მგრძნობიარე, მგრძნობიარე, საშუალო მგრძნობიარე, დაბალი მგრძნობიარე, ძალიან დაბალი მგრძნობიარე); შემუშავდა საქართველოს ლანდშაფტთა მგრძნობელობის კლასიფიკაცია და შეიქმნა თემატური რუკების სერია; გამოვლინდა ლანდშაფტთა მგრძნობელობის ტერიტორიული განაწილების თავისებურებანი საქართველოში და სხვ.

6. სამცხე-ჯავახეთი საქართველოს მნიშვნელოვანი რეგიონი და ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინცია. რეგიონი მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებითა და რესურსებით ხასიათდება (მინერალური წყაროები, სასოფლო სამეურნეო სავარგულები, ტბები, ქარისა და მზის ენერგია, ხელუხლებელი ლანდშაფტები, სხვადასხვა სახის სასარგებლო წიაღისეული და სხვ.). რეგიონს გააჩნია მაღალი ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალი. აქ გადამწყვეტი ადგილი უკავია აგრარულ სექტორს. დარგის წილად მოდის მთლიანი შიდა პროდუქტის 49% და დასაქმებულია შრომითი რესურსების უდიდესი ნაწილი. რეგიონის პერიფერიულ ნაწილში მდებარეობა, მემკვიდრეობის სახით შემორჩენილი ბუნებათსარგებლობის პრაქტიკა, ეთნოგრაფიული და რელიგიური მრავალფეროვნება განაპირობებს მხარის თავისებურებას. მიუხედავად მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებისა გარემოზე როგორც ბუნებრივი ისე ანთროპოგონური დატვირთვები აფერხებს რეგიონის წინსვლას. მნიშვნელოვანი ეკოლოგიური პრობლემებია: ნიადაგის ეროზია და დეგრადაცია, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში ქიმიური სასუქების ინტენსიური გამოყენება, წყლის რესურსების არათანაბარი გადანაწილება და მოძველებული ინფრასტრუქტურა, გეოდინამიკური პროცესების ინტენსივობა, არაკონტროლირებადი ძოვება, ნარჩენების განთავსება და სხვა. ყოველივე ეს კი განაპირობებს ბიომრავალფეროვნების შემცირებას. ცხადია პრობლემები მრავალწახნაგოვანია და საჭიროებს ბუნებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და ისტორიულ-კულტურული ასპექტების ერთობლივ ანალიზს. ასეთი ინტეგრირებული კვლევები მთელ რიგ პრობლემებთანაა დაკავშირებული, მეტადრე ისეთ რეგიონში როგორც სამცხე-ჯავახეთია. კვლევის მიზანია უმთავრესი გეოეკოლოგიური პრობლემების შესწავლა და ანალიზი და შესაბამისად გარემოზე მოქმედი იმ მნიშვნელოვანი რისკების შეფასება რომლებიც არსებობს რეგიონში.

7. კვლევის მიზანია ტერიტორიული დაგეგმარებისათვის სამცხე-ჯავახეთის ლანდშაფტურ-ეკოლოგიური მოდელის შექმნა რომლითაც დაინტერესებული მხარეები მიიღებენ სათანადო ინფორმაციას და განსაზღვრავენ ლანდშაფტებში მოსალოდნელ ცვლილებს. კვლევის ამოცანებია საკვლევი რეგიონის: ლანდშაფტთა გეოეკოლოგიური (კლიმატი, ჰიდროლოგია, ნიადაგები და ა.შ.) ინვენტარიზაცია როგორც საფონდო მასალების დამუშავების ისე საველე-საექსპედიციო კვლევის შედეგად, გის-ის მონაცემთა ბაზის შექმნა, რეგიონის მსხვილმასშტაბიანი შეფასება და მდგრადი ბუნებათსარგებლობისათვის რეკომენდაციების შემუშავება.

8. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის 1930-იანი წლების რეტროსპექტიული სურათის ანალიზი ალ. ჯავახიშვილის კარტოგრაფიული ნაწარმოებების მიხედვით. კვლევის საფუძვლად გამოყენებულია მეცნიერის მიერ, ამ წლებში გამოცემული საქართველოს ორი ზოგადგეოგრაფიული რუკა: მასშტაბები: 1:400,000 (ჯავახიშვილი, ცხაკაია, 1931-1932) და 1:200,000 (ჯავახიშვილი, ცხაკაია, 1932). საქართველოს სოციალისტური საბჭოთა სასწავლო ფიზიკური რუკა. შემუშავებული კვლევის მიზნიდან გამომდინარე, გადაიჭრა რამდენიმე ამოცანა:

- აღნიშნული რუკებისა და სხვა წყაროების საფუძველზე, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ისტორიული ტრანსფორმაციების დადგენა;
- მიღებული შედეგების შედარება სხვადასხვა წყაროებთან, თანამედროვე მდგომარეობასთან.

კვლევა უმთავრესად დაეფუძნა ალ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილ რუკებს, თუმცა ურთიერთშედარებისა და არსებული ვითარების უკეთ წარმოჩენის მიზნით, ასევე გაანალიზდა და შეფასდა სხვადასხვა პერიოდის კარტოგრაფიული წყაროები (XIX საუკუნის „ვერსიანი“, საბჭოთა ტოპოგრაფიული და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული რუკები). კვლევისათვის ასევე გამოყენებულია საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის, ნორმატიული, გეოგრაფიული, ისტორიული, საარქივო მასალები, ალ. ჯავახიშვილის გამოუქვეყნებელი ჩანაწერები.

9. მეტეოროლოგიური პარამეტრები (P,T,e) და ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ რადიოტალღების გარდატეხის კოეფიციენტის ცვლილებაზე. წარმოიქმნება მიწისპირა ჰაერის ფენები არაერთგვაროვანი დიელექტრიკული განვლადობით, რაც იწვევს რადიოტალღების გავრცელების პირობების არაპროგნოზირებად ცვლილებას. კვლევის მიზანია ულტრამოკლე რადიოტალღების გარდატეხის კოეფიციენტის ცვლილების პირობების დადგენა მეტეოროლოგიური და ფიზიკურ-გეოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებით სამხრეთ კავკასიის რეგიონში. კვლევის შედეგად მიღებულია შემდეგი დასკვნები: ატმოსფეროში გარდატეხის კოეფიციენტის (N) ცვლილება დამოკიდებულია მეტეოროლოგიური ელემენტების (P,T,e) სივრცით-დროით განაწილებაზე. მეტეოროლოგიური ელემენტების სივრცეში ცვლილების მიზეზები მრავალგვარია და დამოკიდებულია ფიზიკურ-გეოგრაფიულ, მეტეოროლოგიურ და კლიმატურ პირობებზე; გარდატეხის კოეფიციენტის გრადიენტის მნიშვნელობები ძირითადად დამოკიდებულია სინოტივისა და ტემპერატურის ცვლილებაზე ტროპოსფეროში. სინოტივის გაზრდა და ტემპერატურის შემცირება იწვევს გარდატეხის კოეფიციენტის გაზრდას; ატმოსფეროს ისეთი სტარტიფიკაციის შემთხვევაში, როცა ტემპერატურის გრადიენტი 6.5°C/1კმ-ზე მეტია, ხოლო სინოტივის გრადიენტი 3.5 მმ/1კმ-ზე ნაკლებია, გარდატეხის მაჩვენებლის გრადიენტი (gN) აღწევს კრიტიკულ მნიშვნელობას. ამ შემთხვევაში რადიოტალღის ტრაექტორია წრფივია (ე.ი. არ განიცდის გარდატეხას); შავი ზღვის სანაპიროზე აღინიშნება გარდატეხის კოეფიციენტის მკვეთრი შემცირება სიმაღლის მიხედვით, გამოწვეული წნევის ვერტიკალური გრადიენტის შემცირებით, რაც შესაძლებელია აიხსნას ბრიზული ცირკულაციით;. ატმოსფეროს თერმული მდგომარეობა დიდ გავლენას ახდენს გარდატეხის კოეფიციენტის განაწილებაზე. იზოთერმიისა და ინვერსიის შემთხვევაში გარდატეხის კოეფიციენტის (N) სიდიდე მცირდება, რაც იწვევს მისი გრადიენტის (gN) გაზრდას; ტროპოსფეროში ულტრამოკლე რადიოტალღების გავრცელებისას ადგილი აქვს მათი ინტენსიობის მნიშვნელოვან შესუსტებას, რაც გარემოს ფიზიკურ-გეოგრაფიული მდგომარეობის გარდა, აგრეთვე გამოწვეულია აეროზოლებზე გაბნევით და ატმოსფერული გაზებისა და აეროზოლების მიერ მათი შთანთქმით.

10. გლობალური დათბობის შედეგად კახეთის რეგიონში გამოვლენილია აგროკულტურების განვითარების აგროკლიმატური მაჩვენებლების ცვლილების ტენდენციები (მატება, კლება). რაც იწვევს სავეგეტაციო პერიოდის გახანგრძლივებას, ტემპერატურის ჯამების მატებას და ნალექების ჯამების ძირითადად კლებას. ამ მაჩვენებლებიდან გამომდინარე დაიკვირვება ჰიდროთერმული კოეფიციენტის ინდექსის კლების ტენდენცია. რაც მიუთითებს სუსტი და საშუალო ინტენსიური გვალვების მატებაზე. ამ ნეგატიური მოვლენის წინააღმდეგ საჭირო იქნება შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

11. ქვემო ქართლის რეგიონისათვის (მუნიციპალიტეტების მიხედვით) გამოვლენილი იქნა გლობალური დათბობით გამოწვეული აგროკლიმატური მაჩვენებლების ცვლილების ტენდენცია. კერძოდ, გამოვლინდა აქტიურ ტემპერატურათა და ატმოსფერული ნალექების ჯამების, ასევე ჰიდროთერმული კოეფიციენტის (ჰთკ) ინდექსის ცვლილება ზღ.დონიდან სიმაღლეების მიხედვით. ჩატარებული კვლევების შედეგებიდან გამომდინარე, სავეგეტაციო პერიოდში ფიქსირდება აქტიურ ტემპერატურათა ჯამების მატება და ატმოსფერული ნალექების და ჰთკ-ს შემცირება. აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით აგროკულტურების ნორმალური პროდუქტიულობისათვის რეკომენდირებულია შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებების გატარება.

12. დასავლეთ საქართველოს აჭარის ტენიანი სუბტროპიკული ზონის და აღმოსავლეთ

საქართველოს სამცხე-ჯავახეთის მთიანი რეგიონების სავეგეტაციო პერიოდისათვის გამოვლენილი იქნა აქტიურ ტემპერატურათა და ატმოსფერული ნალექების ჯამების და სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობის მატებისა და კლების ტენდენციები. აჭარის ტენიან სუბტროპიკულ ზონაში ტემპერატურის ჯამის მატების ტენდენციამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში (1956-2005) შეადგინა 52°C. აღნიშნული ტემპერატურის მატების რეჟიმით, 2050 წლისათვის აქტიურ ტემპერატურათა ჯამი აღემატება 100°C, რაც ხელსაყრელი აღმოჩნდება აგროკულტურებისათვის. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში აქტიურ ტემპერატურათა ჯამის მატების ტენდენციამ 125°C შეადგინა. 2050 წლისათვის იგი შესაძლოა გაორმაგდეს და ჯამში მიაღწევს 3192°C, რაც გააუმჯობესებს აგროკულტურების პროდუქტიულობას, შესაბამისი ირიგაციის ფონზე. აჭარის რეგიონში საბაზისო და მომავლის (2020-2050) სცენარის მიხედვით ჰაერის ტემპერატურის 1°C-ით მატების გათვალისწინებით გამოყოფილია 4 მიკროზონა, ხოლო სამცხე-ჯავახეთის რეგიონისათვის საბაზისო და მომავლის სცენარის მიხედვით ტემპერატურის 2°C-ის მატებით გამოყოფილია 4 აგროკლიმატური ზონა.

13. მომავლის სცენარების შესაბამისად, გაანგარიშებული იქნა აქტიურ ტემპერატურათა ჯამები. გამოირკვა, რომ სცენარით ტემპერატურის 1°C-ით მატების შემთხვევაში აქტიურ ტემპერატურათა ჯამი იზრდება საშუალოდ 220-250°C-ით, ხოლო 2°C-ით მატებისას 440-480°C-ით. დასავლეთ საქართველოში საშემოდგომო ხორბალი ტემპერატურის 1°C-ით მატებისას ვრცელდება 1450-1650 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან, აღმოსავლეთ საქართველოში 2°C-ით მატებისას 1750-1800 მ სიმაღლემდე. კლიმატის გლობალური დათბობიდან გამომდინარე, საშემოდგომო ხორბლის გავრცელების ტერიტორიებზე თბილი პერიოდისათვის მოსალოდნელია ატმოსფერული ნალექების ჯამების მატება და კლება.

14. გლობალური დათბობის გათვალისწინებით, აქტიურ ტემპერატურათა ჯამებისა და სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობის განსაზღვრისათვის (ქედის მუნიც.), დამუშავებულია საბაზისო (მიმდინარე) მეტეოროლოგიურ დაკვირვებათა (1956-2005) და მომავლის (2020-2050) საპროგნოზო მეტეოროლოგიური მონაცემები, რომელთა კლიმატური პარამეტრები გამოთვლილია რეგიონალური ECHAM4-ის მოდელით და A2 სცენარის მიხედვით. განსაზღვრულია აქტიურ ტემპერატურათა და ატმოსფერული ნალექების ჯამები 1956-2005 პერიოდისათვის და ტრენდით გამოსახულია მათი მსვლელობის დინამიკა. მოცემულია საბაზისო და მომავლის სცენარით აქტიური ტემპერატურისა (>10ºC) და ატმოსფერული ნალექების (მმ) ჯამების სხვადასხვა უზრუნველყოფა (%) თბილ პერიოდში (IV-X). სცენარით, ტემპერატურის 1ºC-ის მატებით განსაზღვრულია აქტიურ ტემპერატურათა ჯამები და გამოყოფილია აგროკლიმატური ზონები, პერსპექტიული აგროკულტურების გავრცელებით.

15. El Niño და La Niña ოსცილაციები საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ მათი წარმოქმნის პროგნოზირება ჯერ–ჯერობით განსაზღვრული არ არის. ცნობილია მხოლოდ, რომ თბილისი წყლის დიდი მასა წარმოიშობა წყნარი ოკეანის დასავლეთ სანაპიროდან აზიის სანაპირობთან. ამ მასის დონე ცენტერში თითქმის 1 მეტრით აღემატება მიმდებარე წყლების დონეს. თბილი წყლის ეს მასა თითქმის ერთი გრადუსით უფრო თბილია მიმდებარე წყლებზე. ეს წყალი გადაადგილდება დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. როდესაც თბილის წყლის მასა სამხრეთ ამერიკის სანაპიროებს მიაღწევს, იწყება ეროვნული უბედურება, თევზის მასიური გადადგურების გამო. ამ მოვლენებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გლობალურ კლიმატზე არა პროგნოზირებადი მოვლენებისა, და ამიტომ არის განსაკურებით მნიშვნელოვანი.

ბ) უცხოეთში

#	მომხსენებელი / მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1	Matchavariani L., Metreveli G., Tsivtsivadze N., Gulashvili Z.	Solution of Shore Protection & Hydro-energetic Problems for Georgian Black Sea Coastline	4th International Conference on Climate Change Adaptation-2015 2015, 22-23 Nov., Colombo, SRI-LANKA http://www.globalclimate.info/
2	Matchavariani L., Lagidze L., Paichadze N.	Intensity, Distribution and Role of Profile-forming Processes in Pedogenesis of Georgia	15th International Multidisciplinary Scientific Geo- Conference SGEM2015 „Ecology, Economics, Education & Legislation” 2015, 18-25 June, Albena, BULGARIA http://www.sgem.org/
3	Tsivtsivadze N., Khatiashvili E., Matchavariani L., Lagidze L., Motsonelidze N.	Determination of Chlorine Optimal Dose for Drinking Water Disinfection	15th International Multidisciplinary Scientific Geo- Conference SGEM2015 „Ecology, Economics, Education & Legislation” 2015, 18-25 June, Albena, BULGARIA http://www.sgem.org/
4	Matchavariani L.	Ecological Aspects of Pedogenesis and Evaluation of Ecosystems in Georgia on the basis of Edaphic Factors	OMICS Group 4th International Conference on Earth Science & Climate Change 2015, 16-18 June, Alicante, SPAIN http://earthscience.conferenceseries.com/scientific-program.php?day=1&sid=682&date=2015-06-16
5	Lagidze L.	The Role of Landscape in Climate Formation (Samcxe-Javakxeti Region, Georgia)	OMICS Group 4th International Conference on Earth Science & Climate Change 2015, 16-18 June, Alicante, SPAIN http://earthscience.conferenceseries.com/scientific-program.php?day=1&sid=682&date=2015-06-16

მოხსენებათა ანოტაციები (ქართულ ენაზე)

1. საქართველოს შავიზღვისპირა ზოლი, ზღვის აქტივობისა და მდინარის მიერ მოტანილი ინერტული მასალის სიჭარბის გამო, მუდმივად იცვლის პარამეტრებს. ის განიცდის ასევე ადამიანის ზემოქმედების გავლენას, როგორიცა წყალსაცავები და სხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობები. ამჟამად, მდიარეებზე აგებული ჰიდროტექნიკური წყალსაცავების კასკადები მნიშვნელოვნად ამცირებენ პლაჟების მოცულობას. კლიმატის ცვლილება კიდევ უფრო აძლიერებს აბრაზიის პროცესებს. ამჟამად, ორი ანტაგონისტური პრობლემაა აქტუალური: ჰიდროენერგეტიკის განვითარება; დეპოზიტების დეფიციტით გამოწვეული სანაპიროს ეროზია. ჰიდროენერგეტიკის პრობლემის რეალიზება წარმოშობს მესამე რთულ ეკოლოგიურ პრობლემას. ყველა პრობლემის ჰარმონიული გადაწყვეტა შესაძლებელია, თუ ეროზირებული პლაჟები პერიოდულად იქნება ხელოვნურად შევსებული იქნება წყალსაცავებში დაგროვილი ნატანით. აუცილებელია კარიერების სისტემის ორგანიზება წყალსაცავებში. შემოთავაზებული მეთოდის მნიშვნელოვანი უპირატესობებია: რაც უფრო მეტი მოცულობის ნალექი იქნება ამოღებული რეზერვუარიდან, მით უფრო მეტი მოცულობის სასარგებლო წყლის მარაგი დაგროცდება იქ. წყალსაცავი გადაიქცევა განახლებად წყაროს სხვადასხვა დიამეტრის სედიმენტისა და მუდმივად მიაწვდის ინერტულ მასალას ეროზირებული სანაპიროს შესავსებად.

2. საქართველოს ნიადაგების ძირითადი გეოგრაფიული პარამეტრების გამოვლენისას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ნიადაგწარმოქმნელი პროცესების (ჰუმიფიკაცია, გალეხება, გარკინიანება, ლესივირება, გათიხება, გაკარბონატება) მიკრომორფოლოგიურ დიაგნოსტირებას. თითოეული გენეტიკური ტიპისათვის გამოვლენილია ყველაზე დამახასიათებელ პროცესთა ჯგუფები: შავმიწა, ყავისფერ და მთელოს ყავისფერ ნიადაგებში გავრცელებული პროცესებია – ჰუმიფიკაცია-გალეხება-გაკარბონატება; რუხ-ყავისფერ, მდელოს რუხ-ყავისფერ და დამლაშებულ ნიადაგებში – გაკარბონატება გალეხებისა და ლესივაჟის მონაწილეობით;

ყვითელმიწა, სუბტროპიკულ ეწერ და ეწერ-ლებიან ნიადაგებში – ლესივაჟი-გალებება-გარკინიანება; წითელმიწა და ალუვიურ ნიადაგებში – ლესივაჟი-გარკინიანება; მთის შავმიწებში ჰუმიფიკაცია-გათიხება; ყომრალებში – გათიხება გარკინიანებისა და ლესივაჟის მონაწილეობით; მთა-მდელოს ნიადაგებში – ლესივაჟი, ნაწილეობრივ გალებება. შექმნილია კარტოგრაფიული მასალა, რომელიც ასახავს პროფილისმაფორმირებელი პროცესების გავრცელებასა და ინტენსურობას საქართველოს ნიადაგებში.

3. სასმელი წყალი დიდ გავლენას ახდენს მოსახლეობის სიცოხლის უნარიანობაზე, ამიტომ მოწოდებული წყლის რაოდენობისა და ხარისხის პრობლემა დიდ როლს ასრულებს ადამიანის ჯანმრთელობაზე. სამწუხაროდ, საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი იძულებულია ისარგებლოს წყლით, რომელიც არ შეესაბამება სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს. სასმელი წყლის დიდი ნაწილი დასახლებულ პუნტებში გამოედინება წყალსაცავებიდან, რომლებიც ივსება მდინარეებიდან, ან ტბებიდან, რომლებიც წვიმის წყლის, თოვლის ან მყივნარის მდნარი წყლის შემკრებებს წარმოადგენენ. ისინი ძირითადად დაბინძურებულია რამდენიმე ქიმიური და ორგანული ნივთიერებით, სხვადასხვა ნბაქტერიითა და მიკროორგანიზმით, რაც ნაწლავების დაავადებებს იწვევს. ამდენად, აქტუალური გახდა პრობლემა, რომელიც უკავშირდება საკითხს, თუ როგორ უნდა შემცირდეს წყლის დაბინძურება და თავიდან იქნას აცილებული ქლორირებული სასმელი წყლის მავნე ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე. ამ მიზნით ჩატარებული სამუშაო წარმოადგენს ქლორის ოპტიმალური დოზის განსაზღვრის მცდელობას სასმელი წყლის პათოგენური ბაქტერიებისგან დეზინფექციივის წყალმომმარაგებელ რეზერვუარებში, მაშინ როდესაც დამაბინძურებელი ორგანული ნივთიერება არსებობს წყალსაცავში.

4. დედამიწის ძირითად გეო-სფეროებს (ატმოსფერო, ჰიდროსფერო, ლითოსფერო, ბიოსფერო) შორის, თავისი კუთვნილი ადგილი უკავია პედოსფეროს. ყველა ბუნებრივი და ანთროპოგენური პროცესი, რომელსაც ადგილი აქვს თითოეულ ეკოსისტემაში, ნიადაგში აისახება. გეოგრაფიული კვლევების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა ეკოსისტემის მგრძობიარობის შეფასება. ეს საშუალებას აძლევა: დადგინდეს ლანდშაფტის პოტენციური და არსებული ტენდენციები; დადგინდეს მათი მდგრადობის დონე სხვადასხვა ბუნებრივი და ანთროპოგენური ზემოქმედების მიმართ; გაირკვეს მათი გამძლეობის დონე ანთროპოგენური ზეწოლის მიმართ. ამგვარი კვლევები საშუალებას იძლევა შეიქმნას სამეცნიერო საფუძველი მდგრადი გარემოსდაცვითი მენეჯმენტისა და სივრცითი დაგეგმარებისთვის. სხვადასხვა გეოგრაფიულ ფაქტორებთან ერთად (ზედაპირის დახრილობა, მიგრაციის რეჟიმი, რელიეფის დანაწევრების დონე და სხვ.), ძირითად ედაფურ პარამეტრებს უზარმაზარი გავლენა ქვს ეკოსისტემების მგრძნობელობაზე: დედაქანების სიმკვრივე, სტრუქტურა, მექანიკური შედგენილობა და სხვ. GIS-ზე დაყდნობითა და მათემატიკური სტატისტიკის მეთოდის გამოყენებით, შეფასებულია თითოეული ამ პარამეტრის მგრძობიარობა როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთიანად კერძოდ, ერთი გზაა ბალანსირების მონაცემები. გეო-ედაფური ფაქტორების ანალიზმა აჩვენა, რომ საქართველოს ეკოსისტემები განსხვავდება მგრძობიარობით. ზოგჯერ, რომელიმე ერთი ინდიკატორი ასრულებს მნიშვნელოვან როლს, ზოგიერთ შემთხვევაში კი - რამდენიმე მაჩვენებელი ერთად. საქართველოს ტერიტორიისთვის გამოიყო მგრძნობელობის შემდეგი დონეები: ძალიან მგრძნობიარე, მგრძნობიარე, საშუალო მგრძნობიარე, სუსტად მგრძნობიარე და ძალიან სუსტად მგრძნობიარე.

5. ადამიანის და კლიმატის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა უმთავრესია კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე და შეიძლება მომავალში საზოგადოების პროგრესისა ან დეგრადაციის მიზეზი გახდეს. განსაკუთრებით საგრძნობია ეს გარემოება მთიან ქვეყანაში, კერძოდ საქართველოში, რომელიც ხასიათდება რთული ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებით (სიმაღლე ზღ.დ. 0-5068მ) და განიხილება როგორც მრავალფეროვანი კლიმატური პირობების მქონე ქვეყნის მაგალითი: ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონი სამცხე-ჯავახეთი. იგი ქვეყნის სამხეთით მდებარეობს და მკვეთრად განსხვავდება საქართველოს სხვა რეგიონების კლიმატური პირობებისაგან (რაც ადგილობრივი ფაქტორების გავლენითაა გამოწვეული). სამცხე-ჯავახეთის ჰავის მრავალფეროვნების

ერთ-ერთი მიზეზია ქვეფენილი ზედაპირის ხასიათი და სიმაღლე ზღვის დონიდან (900-3300მ), ზედაპირის დანაწევრების ხასიათი, ქედებისა და ხეობების მონაცვლეობა, მცენარეული საფარი (ტყე, მდელო, ველი, წყლის აუზები), იწვევს ქვეფენილი ზედაპირის არათანაბარ გათბობას და ცირკულაციური პროცესების გაძლიერებას. რეგიონის მცენარეული საფარი ძლიერ გარდაქმნილია ანთროპოგენური ფაქტორების ზემოქმედებით, რაც მკვეთრად ცვლის კლიმატურ პირობებს. ქედების განლაგება ატმოსფეროს ცირკულაციურ პროცესებს იმდენად გარდაქმნის, რომ მის ქვედა ფენებში, ქედების სხვადასხვა მხარეს ერთი და იგივე პროცესის დროს ამინდის პირობები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

#	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1			
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

IV. 2.

#	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1			
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

\

სხვა მნიშვნელოვანი აქტივობა:

- 2015 წელს, თსუ ეგიდით, ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „გამოყენებითი ეკოლოგია: პრობლემები, სიახლეები", ICAE-2015, 7-10 მაისი, თბილისი-ბათუმი (კონფერენციის თავმჯდომარე პროფ. ლია მაჭავარიანი). კონფერენციაზე მონაწილეობდა 150-მდე მეცნიერი 18 ქვეყნიდან (აზერბაიჯანი, ბულგარეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ეგვიპტე, თურქეთი, ისრაელი, იტალია, კვიპროსი, მალაიზია, მოლდოვა, ნიდერლანდენი, პაკისტანი, რუსეთი, საქართველო, სომხეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი). კონფერენციის საიტი: http://icae-2015.tsu.ge/

- 2015 წელს გამოიცა ამერიკული ჟურნალის (AJEP, SciencePG) სპეციალური გამოშვება (მთავარი რედაქტორი პროფ. ლია მაჭავარიანი)
  American Journal of Environmental Protection (SciencePG)
  Special Issue "Applied Ecology: Problems, Innovations"
  ISSN: 2328-5680 (Print);
  ISSN: 2328-5699 (Online)
  Lead Guest Editor: Professor Lia Matchavariani
  http://www.sciencepublishinggroup.com/specialissue/163003

- 2015 წელს გამოიცა ამერიკული ჟურნალის (Earth Sciences, SciencePG) სპეციალური გამოშვება (თანა-რედაქტორი პროფ. ლია მაჭავარიანი)
  J. Earth Sciences (SciencePG)
  Special Issue "Modern Problems of Geography and Anthropology"
  ISSN: 2328-5974 (Print); ISSN: 2328-5982 (Online)
  Guest Editors: Dr. Nana Bolashvili, Nino Chikhradze, Dr. Giorgi Lominadze, Dr. Renato Henriques, Dr. Vesna Jenkins, Lia Bitadze, Professor Mihajlo Markovic, Professor Lia Matchavariani
  http://www.sciencepublishinggroup.com/specialissue/161010

ნახევარგამტართა ფიზიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი

ინსტიტუტის ხელმძღვანელი შოთა მირიანაშვილი
* ინსტიტუტის პერსონალური შემადგენლობა:
ნახევარგამტართა მასალათმცოდნეობის განყოფილება

1. თენგიზ ქამუშაძე - დირექტორის მოადგილე, განყოფ. გამგე

ინსტიტუის ხელმძღვანელი შოთა მირიანშვილი

* ინსტიტუტის პერსონალური შემადგენლობა:

ნახევარგამტართა მასალათმცოდნეობის განყოფილება

1. თენგიზ ქამუშაძე – დირექტორის მოადგილე. განყოფ. გამგე
2. ნანული რთველიშვილი – მთ. მეცნ. თანამშრომელი
3. ანზორ ბერძენიშვილი – უფ. მეცნ. თანამშრომელი
4. ზურაბ რაზმაძე – უფ. მეცნ. თანამშრომელი
5. მედეა ჯოჯუა – უფ. მეცნ. თანამშრომელი
6. ქეთევან ედილაშვილი – მეცნ. თანამშრომელი
7. რუსუდან შალამბერიძე – მეცნ. თანამშრომელი
8. ენდი თუმანიშვილი – მეცნ. თანამშრომელი

მომავლის მასალების მიღებისა და კვლევის განყოფილება

1. მაია შარვაშიძე – განყოფ. გამგე
2. თამაზ ბუთხუზი – მთ. მეცნ. თანამშრომელი
3. თამარ ხულორდავა – უფ. მეცნ. თანამშრომელი
4. ნოდარ გაფიაშვილი – უფ. მეცნ. თანამშრომელი
5. ეკა კეკელიძე – უფ. მეცნ. თანამშრომელი
6. ლია ტრაპაიძე – უფ. მეცნ. თანამშრომელი
7. ლია აფციაური – უფ. მეცნ. თანამშრომელი

IV-VI ნახევარგამტართა კვლევის განყოფილება

1. ომარ დავარაშვილი – განყოფ. გამგე
2. მეგი ენუქიშვილი – უფ. მეცნ. თანამშრომელი
3. ლარისა ბიჩკოვა – უფ. მეცნ. თანამშრომელი

ზემაღალი სიხშირის მიკროელექტრონიკის განყოფილება

1. ბადრი ხვიტია – განყოფ. გამგე
2. სოლომონ მაჭავარიანი – უფ. მეცნ. თანამშრომელი

3. გიორგი ბრაილოვსკი – მეცნ. თანამშრომელი
4. ჰანრი ჭაჭუა – მეცნ. თანამშრომელი

ფოტოენერგეტიკის განყოფილება

1. ვასილ შველიძე – ჯგუფის ხელმძღვანელი
2. მიხეილ ელიზბარაშვილი – უფ. მეცნ. თანამშრომელი
3. გურამ ტოგონიძე – მეცნ. თანამშრომელი

* საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1.	**დენის მატარებელთა სიცოცხლის ხანგრძლივობის განსაზღვრა ნახევრადიზოლირებულ გალიუმის არსენიდში**	**თენგიზ ქამუშაძე**	**ნ. რთველიაშვილი** **ა. ბერძენიშვილი** **ზ. რაზმაძე** **ე. თუმანიშვილი** **მ. ჯოჯუა** **რ. შალამბერიძე** **ქ. ედილაშვილი**
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
	ცნობილია, რომ ფოტოელექტრული ხელსაწყოების, კერძოდ დიოდური და ტრანზისტორული სტრუქტურების, გარდამავალ მახასიათებლებს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს დენის არაწონასწორული მატარებლების სიცოცხლის ხანგრძლივობები. ამასთან ერთად სიცოცხლის ხანგრძლივობების განსაზღვრა, განსაკუთრებით მაღალომიან მასალებში, თავისთავად საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს. ამის გამო დენის მატარებელთა სიცოცხლის ხანგრძლივობების შესახებ ინფორმაციას ხშირად ღებულობენ მზა ხელსაწყოების ისეთი მახასიათებლების ანალიზის საშუალებით, როგორიცაა იმპედანსი, ვოლტამპერული მახასიათებლები (ვამ) და სხვა. ასე, მაგალითად, ქრომითა და რკინით ლეგირებულ ნახევრადიზოლირებულ გალიუმის არსენიდში დენის მატარებლების სიცოცხლის ხანგრძლივობები განსაზღვრულ იქნა ამ მასალაზე დამზადებული დიოდების ვოლტამპერული მახასიათებლების ანალიზის საშუალებით [1]. ჩვენს მიერ ადრე [2,3] შემოთავაზებულ ნახევრადიზოლიორებულ გალიუმის არსენიდის ბაზაზე დამზადებულ p-n-i-n $^+$ სტრუქტურას ფართო ფუნქციონალური შესაძლებლობები გააჩნია, ამასთან [2]-ში თეორიულად იქნა ნაჩვენები, რომ ამ სტრუქტურათა ვამ-ის და მასში ჩართული p-n- შუქდიოდის გამოსხივების ვატ-ამპერული მახასიათებლის საშუალებით შესაძლებელია დენის მატარებელთა სიცოცხლის ხანგრძლივობების განსაზღვრა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თეორიული გათვლებისას ჩვენს მიერ დაშვებულ იქნა, რომ ელექტრონთა და ხვრელთა სიცოცხლის ხანგრძლივობები დამოკიდებული არაა მოდებული ველის დაძაბულობაზე. ექსპერიმენტის შედეგები კარგ თანხვდენაში იყო თეორიულ გათვლებთან, მაგრამ მნიშვნელოვანი იყო ჩვენი დაშვების კორექტულობის შემოწმება და დენის მატარებელთა სიცოცხლის ხანგრძლივობებისათვის მიღებული		


შედეგების პირდაპირი ექსპერიმენტული გაზომვებით დადასტურება.
ელექტრონთა სიცოცხლის ხანგრძლივობის გასაზომად გამოყენებულ იქნა ძლიერი ელექტრული ველით ინჟექცირებულ ელექტრონთა კონცენტრაციის რელაქსაციის მეთოდი. ჩატარებული ექსპერიმენტის ელექტრული სქემა მოყვანილია ნახ.1-ზე. ელექტრული იმპულსი მიიღება ნანოწამიანი გენერატორის -3 დამუხტული კაბელის - 1 განმუხტვით ვერცხლისწყლის რელეს ჩართვისას. ამ დროს ფორმირებული ელექტრონული იმპულსი,რომლის ფრონტის სიგანე დაახლოვებით 5 ნანოწამია, გამყოფის - 4 გავლით,
მიდის სტრობოსკოპული ოსცილოგრაფის (C7-8) – 9 სინქრონიზაციის შესასვლელზე - 12. გამყოფის წინაღობაა R_1 =10 კომი. იგი ბევრად აღემატება კაბელის z =50 ომი წინაღობას, რის გამოც სინქრონიზაციის შესასვლელზე მოსული სიგნალის სიმძლავრე 200-ჯერ ნაკლებია გენერატორიდან გამოსული სიგნალის სიმძლავრეზე. გამომავალი იმპულსის დანატრჩენი ნაწილი გაივლის დაყოვნების ხაზს -5, რის შემდეგაც მისი ნაწილი გამყოფის -6 გავლის შემდეგ, მიდის ოსცილოგრაფის შესასვლელზე -10,ხოლო მეორე ნაწილი ნიმუშზე -7. 6- გამყოფის წინაღობაა R_2 =1800 ომი, ამიტომ 10-შესასვლელზე მისული სიგნალის სიმძლავრე 36-ჯერ ნაკლებია ნიმუშზე მისულ სიმძლავრეზე. ნიმუშის მიმდევრეობით ჩართულია დაბალომიანი (r = 5-10 ომი) წინაღობა - 8, რომლიდანაც გამომავალი დენის იმპულსი მიდის ოსცილოგრაფის შესასვლელზე - 11. ოსცილოგრაფზე გამოსახული მრუდეების გრაფიკების აგება ხდება ორკოორდინატიანი თვითჩამწერის - 14 საშუალებით, რომელიც მიერთებულია ოსცილოგრაფის ანალოგურ გამოსავალზე - 13.
ექსპერიმენტის ჩასატარებლად საჭირო იყო ორსაფეხურიანი ფორმის ელექტრული იმპულსი. პირველი საფეხური (მაღალი ამპლიტუდით), რომლის საშუალებითაც მოხდებოდა ელექტრონთა ინჟექცია n - არედან i - არეში, ხოლო მეორე (მცირე ამპლიტუდით), რომელიც შეასრულებდა გამწოვი ველის ფუნქციას. ამ მიზნის მისაღწევად იმპულსის ფორმიორების ხაზში (კაბელში) ჩართული იყო R - წინაღობა - 2. ამის გამო გენერატორის ვერცხლისწყლის რელეს ჩართვისას ჯერ განიმუხტება დამუხტული კაბელის ის L - სიგრძის ნაწილი, რომელიც მოთავსებულია 2 - წინაღობასა და 3 - გენერატორს შორის. ამ დროს ხდება იმპულსის პირველი საფეხურის ფორმირება, რომლის ხანგრძლივობაა 2L / c წმ, სადაც c - სინათლის სიჩქარეა, შემდეგ განიმუხტება კაბელის დანარჩერნი l - სიგრძის ნაწილი, რომელიც გვაძლევს 2l /c ხანგრძლივობის მეორე საფეხურს. მეორე საფეხურის ძაბვის ამპლიტუდა U_2 შეიძლება გამოვთვალოთ პირველი საფეხურის ამპლიტუდის - U_1 -სა და R - წინაღობის საშუალებით [4]:

$$U_2 = \frac{2z}{2z + R} U_1$$

ნახევრადიზოლირებულ გალიუმის არსენიდის ელექტრონთა სიცოცხლის ხანგრძლივობის გასაზომად გამოვიყენეთ ჩვენს მიერ ადრე გამოკვლეული $p\text{-}n\text{-}i\text{-}n^+$ სტრუქტურის $n\text{-}i\text{-}n^+$ ქვესტრუქტურა. აქ i -არე წარმოადგენს ქრომითა და ჟანგბადით ლეგირებულ ნახევრადიზოლირებულ გალიუმის არსენიდს. ამ არის სიგანე 20 მკმ -ის რიგისაა. დადგინდა, რომ ჩვენს მიერ ზემოთაღწერილი

ორსაფეხურიანი ძაბვის იმპულსის მოდებისას i - არეში ინჟექტირებულ ელექტრონთა კონცენტრაციის რელაქსაცია ჩვეულებრივი ექსპონენციალური კანონით მიმდინარეობს (ნახ.2). ამასთან აღმოჩნდა, რომ ამ ელექტრონთა რელაქსაციის კანონი არ იცვლება გამწოვი ელექტრული ველის დაძაბულობებისათვის 5 – 70 კვ/სმ დიაპაზონში. შესაბამისად დადგინდა, რომ ქრომითა და ჟანგბადით ლეგირებულ ნახევრადიზოლირებულ გალიუმის არსენიდში ელექტრონთა სიცოცხლის ხანგრძლივობა დაახლოვებით 1.10^{-8} წამის ტოლია და იგი დამოკიდებული არაა მოდებული ელექტრული ველის დაძაბულობაზე $(0,5 – 7).10^4$ ვ/სმ ინტერვალში.

უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრონთა სიცოცხლის ხანგრძლივობისათვის პირდაპირი გაზომვებით მიღებული შედეგები და ისიც, რომ იგი დამოკიდებული არაა მოდებული ელექტრული ველის დაძაბულობაზე სრულ თაქნხვედრაშია ჩვენს მიერ p-n-i-n$^+$ სტრუქტურების ვოლტამპერული მახასიათებლების გამოკვლევით მიღებულ შედეგებთან და იმ დაშვებებთან, რომლებიც გაკეთებულ იქნა ამ სტრუქტურათა ვამ-ის თეორიული გათვლებისას.




ნახაზი №1

ლიტერატურა

{1]. Р. Ф. Казаринов и др ФТП, 4, 1677 (1970).
[2]. Т.Д. Камушадзе и др, Электронная техника, Микроэлектроника, 6, 3 (1980).
[3]. Т.Д. Камушадзе и др, Электронная техника, Микроэлектроника, 1, 15 (1981).
[4]. АЮ Даргис и др, Лит. Физ. сб., 17,189 (1977)

პუბლიკაციები

1.



ФИЗИКА АТОМНОГО ЯДРА
И ЭЛЕМЕНТАРНЫХ ЧАСТИЦ

М.И. ДЖИБЛАДЗЕ,
доктор физ.-мат. наук, профессор,
член физического общества США
E-mail: merabJib@mail.ru
Тбилисский государственный университет
Г.Н. ДГЕБУАДЗЕ
доктор техн. наук, ведущий научный сотрудник
Сухумский Физико-Технический Институт
им. И. Векуа
З.Г. РАЗМАДЗЕ
канд. техн. наук, старший научный сотрудник
Тбилисский государственный университет
Тбилиси, Грузия

РЕАКЦИЯ ХОЛОДНОГО ЯДЕРНОГО СИНТЕЗА НА ЯДРАХ Li-Cd

В работе рассмотрен процесс холодного ядерного синтеза ядер лития и кадмия (Li-Cd) и показана ее более высокая эффективность по сравнению с ядерной реакцией на смеси Li-Ni. Ядерные реакции рассмотрены на основе кристаллической модели атомного ядра и кварковом строении нуклонов и показано, что источником тепловой энергии является захват нейтронов ядрами кадмия и никеля.

2.M. D. Zviadadze, I. G. Margvelashvili, L. A. Zamtaradze, A. I. Berdzenishvili "The efficiency and power at martensite rotor Heat engine II" E – print arxiv (cond-mat. other) (prepeare for publlication)

In this work, which is the continuation of article, the hydravlic resistance and thermel conductivity of the engine working body is taken into account. Also discussed the conditions of release MRHD maximum power and make a comparison with experiment.

ამ ნაშრომში, რომელიც არის [13] სტატიის გაგრძელება, მხედველობაში მიიღება ძრავის მუშა სხეულის ჰიდრავლიკური წინაღობა და სითბოგამტარობა. აგრეთვე განიხილება МРТД-ის მაქსიმალურ სიმძლავრეზე გასვლის პირობები და ხდება მისი შედარება ექსპერიმენტთან.

[13] M. D. Zviadadze, I. G. Margvelashvili, L. A. Zamtaradze, A. I. Berdzenishvili "The efficiency of Ideal Ferrielectric Energy Converter" E – print arxiv: 1206.2789 (cond-mat. other) (2012)/

პატენტი

(19) საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საპატენტო

(11) GE U 2015 1854 Y
(10) AU 2014 13511 U
(51) Int. Cl. (2006)
C 03 B 37/00

(12) სასარგებლო მოდელზე პატენტის აღწერილობა

(21) AU 2014 13511
(22) 2014 07 02
(24) 2014 07 02
(44) 2014 12 10 №23
(45) 2015 03 25 №6

(73) ზურაბ რაზმაძე (GE)
ბარნოვის ქ. 26 , 0108, თბილისი (GE);
მერაბ ჯიბლაძე (GE)
ი. ჭავჭავაძის გამზ. 16, ბ. 23, 0179,
თბილისი (GE);
ევგენი უშვერიძე (GE)
პეკინის ქ. 13, ბ. 37, 0171, თბილისი (GE);
ალექსანდრე მიქაბერიძე (GE)
თამარაშვილის ქ. 11, ბ. 114, 0162,
თბილისი (GE)
(72) ზურაბ რაზმაძე (GE);
მერაბ ჯიბლაძე (GE);
ევგენი უშვერიძე (GE);
ალექსანდრე მიქაბერიძე (GE)

(56) 1. GE P2010 4950 B,
2010-04-12

(54) *მოწყობილობა ბაზალტის ბოჭკოს მისაღებად*

(57) წარმოდგენილია მოწყობილობა ბაზალტის ბოჭკოს მისაღებად, რომელიც შეიცავს ბაზალტის გასალღობ ტევადობას, გამათბობელ მოწყობილობას, ფილერებს და ბოჭკოს გამომწელავ მოწყობილობას. კვარცის ან ძნელნადნობი ლითონისაგან დამზადებული ერთმანეთთან მილით დაკავშირებული ორი ცილინდრის ფორმის მქონე ბაზალტის გასალღობი ტევადობა მოთავსებულია დიუარისმაგვარ გამჭვირვალე ჭურჭელში, გამათბობლად გამოყენებულია სინათლის ღუმელი აირგანმუხტვადი ელექტრონათურებით, რომლებიც სიმეტრიულად განლაგებულია დიუარისმაგვარი ჭურჭლის ირგვლივ.
მუხლები: 1 დამოუკიდებელი

GE U 2015 1854 Y

GE U 2015 1854 Y

სასარგებლო მოდელზე პატენტის აღწერილობა

სასარგებლო მოდელი ეხება ბოჭკოს დასამზადებელ მოწყობილობას, მათ შორის, მინერალური ბოჭკოსი, რომელსაც ფართო გამოყენება აქვს მანქანათმშენებლობის, სამშენებლო ინდუსტრიის, აეროკოსმოსურ, ქიმიურ, ტექსტილის და მრეწველობის მრავალ სხვა დარგში.

და გადნობა ხდება დიდი სიმძლავრის სინათლის ღუმელში (2), სადაც გაზგანმუხტვის ნათურების მიერ გამოსხივებული სინათლე ღუმელის ამრეკლების დახმარებით დიუარისა და მიმღების (კვარცის მიმღების შემთხვევაში) გამჭვირვალე კედლის გავლით ეცემა ბაზალტის მადნის ნატეხებს. ბაზალტის მადანი გათბობის შედეგად დნება და მუქი ყავისფერი ხდება, რაც მის სინათლის შთანთქმის კოეფიციენტს ზრდის. მუქი ცეცხლგამძლე მეტალის ტევადობის გამოყენებისას სინათლე ათბობს მეტალის კედლებს, რომლებიც სითბოს ბაზალტს გადასცემს. სინათლის ღუმელებსა და ტევადობას შორის მოთავსებული ცილინდრული ფორმის დიუარის მაგვარი გამჭვირვალე ჭურჭელი (5) უზრუნველყოფს მიმღების თბოიზოლაციას გარემოსაგან. გამდნარი ბაზალტი ჰომოგენიზაციის (8) და წიდისაგან განთავისუფლების შემდეგ შედის ტევადობის ქვედა ნაწილში, რომლის გარშემო განლაგებულია სინათლის დუმელი (3), საიდანაც გადადის ფილერის მოწყობილობაში (6), სადაც ფორმირდება წვრილი ბოჭკოების სახით და იხვევა დამხვევი დანადგარის (7) დახმარებით.

სინათლის ღუმელებით აღჭურვილი წარმოდგენილი მოწყობილობის (ფიგურა 1) უპირატესობა ბუნებრივი აირის ღუმელებით აღჭურვილ არსებულ მოწყობილობასთან შედარებით შემდეგია:

1. აღნიშნულ მოწყობილობაში ბაზალტის გახურება მიმდინარეობს გვერდებიდან მიმღების მთელ სიგრძეზე, ამდენად, ბაზალტის გადნობაზე დახარჯული ენერგია მინიმალურია;

2. ნადნობის მაღალი ტემპერატურის შენარჩუნებას ხელს უწყობს ტევადობის განთავსება დიუარის მაგვარ ჭურჭელში;

3. სინათლის ღუმელი ქმნის ეკოლოგიურად სუფთა გარემოს დამწვარი აირების არ არსებობის გამო, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მიღებული ბაზალტის ბოჭკოს ხარისხს და მკვეთრად აუმჯობესებს სამუშაო პირობებს;

4. გაცილებით ადვილდება ნადნობის ტემპერატურული კონტროლი და მისი რეგულირება განმუხტვის ნათურებზე მოდებული ძაბვის ცვლილებით;

5. სინათლის ღუმელებში ნათურები ცივდება გამდინარე წყლით და მათი ტემპერატურა არ აღემატება 30°-40°C-ს.

6. დანადგარი თავისუფალია ჰაერისა და წყლის მძლავრი კომპრესორებისაგან, რაც ამცირებს ელექტრული ენერგიის დანახარჯებს;


7. გამოთვლების თანახმად, დანადგარის მოლიანი ღირებულება და ერთი კილოგრამი ბაზალტის თვითღირებულება დაახლოებით 2-ჯერ მცირდება.

GE U 2015 1854 Y

სასარგებლო მოდელის ფორმულა

მოწყობილობა ბაზალტის ბოჭკოს მისაღებად, რომელიც შეიცავს ბაზალტის გასალღობ ტევადობას, გამათბობელ მოწყობილობას, ფილერებს და ბოჭკოს გამომწელავ მოწყობილობას, განსხვავდება იმით, რომ კვარცის ან ძნელნადნობი ლითონისაგან დამზადებული თანაღერძული, ვერტიკალური და ერთმანეთთან მილით დაკავშირებული ორი ცილინდრის ფორმის მქონე ბაზალტის გასალღობი ტევადობა მოთავსებულია დიუარისმაგვარ გამჭვირვალე ჭურჭელში, გამათბობლად გამოყენებულია სინათლის ღუმელი აირგანმუხტვადი ელექტრონათურებით, რომლებიც სიმეტრიულად განლაგებულია დიუარისმაგვარი ჭურჭლის ირგვლივ.

GE U 2015 1854 Y



* საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
2.	**ZnO-ის ბაზაზე ცისფერი და ულტრაიისფერი შუქ-მნათი დიოდების მიღება რადიკალურ სხივური კვაზიეპიტაქსიის (რსკე) მეთოდით**	თამაზ ბუთხუზი	1. თ. ბუთხუზი; 2. მ. შარვაშიძე; 3. ნ. გაფიშვილი; 4. ლ. ტრაპაიძე; 5. ე. კეკელიძე;
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
	<u>პრობლემა:</u> ამჟამად არსებული ტექნოლოგიური მეთოდები წარმატებით გამოდგება ვიწროზონიანი ნახევარგამტარების თვისებების რეგულირებისათვის, მაგრამ არადამაკმაყოფილებელ შედეგს იძლევა ფართოზონიანი ნახევარგამტარებისათვის. ამ უკანასკნელიდან გამომდინარე, ოპტო-ელექტრული ინდუსტრია ვიწროზონიან ნახევარგამტართა გამოყენებას ეფუძნება. ფართოზონიანი პირდაპირ-გადასასვლელიანი ნახევარგამტარების გამოყენება მნიშვნელოვანია ოპტოელექტრულ სტრუქტურებში. ამ მასალებს შორის განსაკუთრებულია ZnO, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე დეგრადაცია მედეგი p-ტიპის ZnO მიღება გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს, რაც ხელს უშლის მის გამოყენებას ოპტოელექტრულ ინდუსტრიაში. **<u>სიახლე:</u>** თეორიულმა გათვლებმა აჩვენა, რომ ფტორი (F), როგორც მინარევი ZnO–ში თხელი აქცეპტორული დონეების შესაქმნელად საუკეთესო კანდიდატურას წარმოადგენს. გათვლების თანახმად, გადასვლის ენერგია (სავალენტო ზონიდან დეფექტის შესაბამის დონეზე) რთული აქცეპტორული წყვილზე V_{Zn}-F_O - 0,16 ევ-ს შეადგენს. არაწონასწორული რადიკალურ-სხივური კვაზიეპიტაქსიის ტექნოლოგიური მეთოდი შემუშავებულ იქნა, რათა გადაჭრილიყო ZnO-ს ელექტრო-ოპტიკური თვისებების მართვის პრობლემა. **<u>ჩვენი წვლილი:</u> პროფ. თამაზ ბუთხუზის ხელმძღვანელობით შექმნილია ახალი უნიკალური – რადიკალურ-სხივური კვაზიეპიტაქსიის (რსკე) ხელსაწყო-დანადგარი (გამოგონებაზე აღებულია პატენტი), რომლის გამოყენებით გადაჭრილია ნახევარგამტართა ტექნოლოგიების ძირითადი პრობლემა:**		

ფართოზონიანი ნახევარგამტარების თვისებების რეგულირება.

რსკე მეთოდი საშუალებას გვაძლევს ვარეგულიროთ დეფექტთა წარმოქმნის მექანიზმები ფართოზონიან ნახევარგამტარებში და ვმართოთ ელექტრო-ოპტიკური თვისებები.

რსკე ტექნოლოგიური მეთოდის გამოყენებით მივიღეთ დაბალომიანი სტაბილური p-ტიპის ZnO-ს ფენები, რომლის ელექტრული თვისებები ამჟამად რეკორდულია. ოთახის ტემპერატურაზე p-ტიპის ZnO-ს აქვს შემდეგი ელექტრული მახასიათებლები: ხვრელების ძვრადობა - 270/ვ.წმ, ხვრელების კონცენტრაცია 10^{19}სმ $^{-3}$, წინაღობა - 2,3x10 $^{-3}$ომი/სმ და რაც მთავარია, ამ შედეგებიდან ცხადია, რომ რსკე ნახევარგამტართა ელექტრო-ოპტიკური თვისებების მართვის ეფექტური ტექნოლოგიური მეთოდია. ეს კი უმნიშვნელოვანესია აღნიშნულ ნახევარგამტართა ოპტო-ელექტრულ ინდუსტრიაში გამოყენების მიზნით.


ZnO-ში მინარევული p-ტიპის გამტარობის მისაღებად ჩვენს მიერ ჩატარდა შემდეგი ექსპერიმენტი: n-ტიპის ZnO (წარმოებული Cermet, Inc.) იმპლანტირებულ იქნა F^+ იონებით კონცენტრაციით 10^{20} სმ$^{-3}$, ენერგიებით E=110 კევ და დოზებით D=10^{16} სმ$^{-2}$. იმპლანტირებულ ZnO კრისტალში წარმოქმნილი დეფექტების გამოწვა მიმდინარეობდა რსკე მეთოდით. რსკე თერმოდამუშავების ხანგრძლივობა იყო 3, 4 და 6 საათი. შედეგად ჩვენ მივიღეთ ZnO:F ახალი კვაზიეპიტაქსიური ფენები. ჰოლის გამოკვლევების მიხედვით (ვან დერ პაუს მეთოდით) ZnO:F ეპიტაქსიური ფენები მიღებული 4 და 6 საათიანი დამუშავებით არიან p-ტიპის. გაზომვები ჩატარებულ იქნა ოთახის ტემპერატურაზე.

მიღებული ფენების ტიპი	რსკე-ში დამუშავების ტემპერატურა T ºC	რსკე დამუშავების ხანგრძლივობა t (h)	თავისუფალი გადამტანების ძვრადობა μ (cm^2/Vs)	თავისუფალი გადამტანების კონცენტრაცია n (cm^{-3})	კუთრი წინაღობა ρ (Ω cm)
1. n	**400**	**3**	**1500**	**1,5x10^{19}**	**2,7x10^{-4}**
4. p	**400**	**4**	**220**	**1,6x10^{18}**	**1,8x10^{-2}**
6. p	**400**	**6**	**270**	**1,0x10^{19}**	**2,3x10^{-3}**
7. p	**400**	**6**	**250**	**7,7x10^{18}**	**1,8x10^{-3}**

პირველ შემთხვევაში 3 საათიანი დამუშავებისას ნიმუში (No 1) იმპლანტაცია რადიაციულ დეფექტთა წარმოქმნის გამო იმპლანტირებულ ფენებში იწვევს დიფუზიის სტიმულირებას. ბაზური კრისტალიდან ახალ მშენებარე ფენებში ექსტრაგირებული თუთიის კონცენტრაცია ძალაინ მაღალია. როგორც ჩანს, 3 საათი არასაკმარისია რადიაციულ დეფექტთა მკურნალობისათვის, შესაბამისად დიფუზია აქტიურია. შედეგად მიღებულ ფენებში თუთიის კონცენტრაცია ჭარბობს ჟანგბადის კონცენტრაციას. ეს იწვევს n-ტიპის ZnO-ს ფენების წარმოქმნას 400ºC-ზე რსკე-ში თერმოდამუშავებისას (3 საათის განმავლობაში).

ცხრილში განხილულ II, III და IV შემთხვევაში მივიღეთ p-ტიპის ZnO-ს ახალი ფენები რსკე თერმოდამუშავების ტემპერატურა იყო 400ºC და დრო შეადგენდა 4, 6 და 6 საათს შესაბამისად. 4-საათიანი თერმოდამუშავებისას ხდება იმპლანტაციისას წარმოქმნილ

რადიაციულ დეფექტთა მკურნალობა, რის გამოც ბაზურ კრისტალში დიფუზიური პროცესები შენელდება. ეს იწვევს ახალ მშენებარე კვაზიეპიტაქსიურ ფენებში თუთიის კონცენტრაციის შემცირებას. ამრიგად, ახალ მშენებარე ფენებში დომინირებადია (V_{Zn}-F_O) ასოციატი, რომელისც წარმოიქმნა (V_{Zn}-V_O) დეფექტიდან ფტორის ჩანაცვლებით ჟანგბადთან. ამრიგად, კვაზიეპიტაქსიურ ZnO ფენებში, რომელიც მიიღება ZnO:F ბაზაზე დომინირებადი დეფექტია (V_{Zn}-F_O) ასოციატი. ეს არის პრინციპული მიზეზი, რამაც შესაძლებელი გახადა p-ტიპის ZnO-ს მიღება და რაც წინასწარ გათვლილი იქნა პირველადი პრინციპის ზონური სტრუქტურების მეთოდით [31].



ბნელი I-V მახასიათებლები რსკე მეთოდით მიღებულ p-i-n ZnO/ZnO:F სტრუქტურაზე (გაზომილია Cermet Inc.-ში). ნიმუშის თვისებები უცვლელად შენარჩუნდა მისი მიღებიდან 7 წლის მანძილზე.

ეს შედეგები აჩვენებს, რომ რსკე მეთოდი ეფექტურად აკონტროლებს ZnO ნახევარგამტარის ელექტრო-ოპტიკურ თვისებებს, რაც მნიშვნელოვანია ოპტოელექტრული სისტემების მისაღებად.

ასევე აღნიშნული შედეგები ადასტურებს რსკე-ს მიმდინარეობისას დეფექტთა წარმოქმნის წარმოდგენილ მექანიზმს.

რსკე-ს მეთოდის დემონსტრირებული შესაძლებლობები ქმნის ბაზას p-n გადასასვლელის, ულტრაიისფერი შუქმნათი დიოდისა და ულტრაიისფერი ლაზერის შესაქმნელად. ეს ZnO-ს მომავლის მასალიდან ოპტოელექტრული სტრუქტურების შესაქმნელად აქტიურად გამოყენებად მასალად აქცევს.

რსკე მეთოდს აქვს შემდეგი მნიშვნელოვანი განსაკუთრებულობა: ფიქსირებული ჟანგბადის კონცენტრაციისას შესაძლებელია ვარეგულიროთ ბაზური კრისტალიდან თუთიის მიწოდება ტემპერატურის ვარირების მეშვეობით. რსკე მეთოდი აკონტროლებს სტექიომეტრულ შემადგენლობას როგორც მიღებულ ფენებში, ასევე ბაზურ კრისტალში, რაც შესაძლებელს ხდის პრაქტიკულად გამოყენებადი შედეგების მიღწევას. დიფრაქტოგრამისა და ოპტიკური კვლევა აჩვენებს, რომ რსკე მეთოდის გამოყენებით ZnO-ს მონოკრისტალური ფენები იქნა მიღებული ZnS-Au ბაზაზურ კრისტალზე [28].

რსკე მეთოდით Au–ZnO–ZnS–In სისტემაზე ცისფერი შუქმნათი დიოდი იქნა მიღებული [21, 22]. რსკე მეთოდით ZnO-ს ბაზაზე ულტრამონოკრისტალური და ულტრამაღალი ხარისხის ZnO-ს ფენები იქნა მიღებული. აღნიშნული ფენების

ფოტოლუმინესცენციის სპექტრში დამზერილ იქნა A, B და C თავისუფალი ექსიტონური გამოსხივება, რომელთა დაფიქსირებაც გამოწვეულია კრისტალში პოლარიტონის არსებობასთან [19, 26].

ამრიგად, ამ პროექტის განხორციელება შანსს გვაძლევს გადავჭრათ ოპტოელექტრონიკის მთავარი ამოცანა: ფართო დიაპაზონში ვმართოთ II-VI ფართოზონიანი ნახევარგამტარების ელექტრო-ოპტიკური თვისებები და მივიღოთ მკვეთრი p-n გადასასვლელი, ტრანზისტორი, ულტრაიისფერი შუქმნათი დიოდი.

გამოყენება: პროექტის განხორციელებით მიღებული შედეგები მნიშვნელოვანი იქნება:

1. მეცნიერთათვის, რომლებიც მუშაობენ II-VI ფართოზონიან ნახევარგამტარული მასალების ელექტრო-ოპტიკური თვისებების კვლევაზე;
2. მეცნიერთათვის, რომლებიც მუშაობენ II-VI ფართოზონიან ნახევარგამტართა ბაზაზე შექმნილ ტრანზისტორთა ელექტრო-ოპტიკური თვისებების კვლევაზე;
3. მეცნიერთათვის, რომლებიც მუშაობენ II-VI ფართოზონიან ნახევარგამტართა ბაზაზე შექმნილ ცისფერ და ულტრაიისფერ დიოდთა ელექტრო-ოპტიკური თვისებების კვლევაზე;
4. საწარმოები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან დააკმაყოფილონ სამეცნიერო/კვლევით სისტემების მოთხოვნები და აწარმოონ ახალი ტექნოლოგიური დანადგარები.

აღნიშნული პროექტის განხორციელება საშუალებას მოგვცემს:

1. ნათლად წარმოვადგინოთ რსკე ტექნოლოგიური მეთოდის უპირატესობანი ფართოზონიანი II-VI ნახევარგამტარების თვისებების სამართავად გამოყენებულ მეთოდებთან შედარებით;
2. ვაჩვენოთ, რომ რსკე მეთოდი გამოყენებადია ნებისმიერი ორ ან მეტ-კომპონენტიანი ნახევარგამტარის თვისებების ეფექტური მართვისთვის;
3. მივიღოთ დეგრადაციამედეგი ტრანზისტორები და შუქმნათი დიოდები ZnO/ZnO სტრუქტურების ბაზაზე;
4. ZnO/ZnO-ს დიოდის მიღებით, მოხდეს რსკე მეთოდის შესაძლებლობების მაქსიმალურად წარმოჩენა მსოფლიო სამეცნიერო წრეების წინაშე.
5. დავადასტუროთ რსკე მეთოდის გამოყენების რეალური და განმეორებადი შედეგი;
6. შევქმნათ სამეცნიერო ბაზა დეგრადაციამედეგი ZnO/ZnO ცისფერი და ულტრაიისფერი დიოდების შესაქმნელად;
7. შევქმნათ წინაპირობა რსკე ტექნოლოგიურ დანადგარზე საერთაშორისო პატენტის მომზადებისთვის.

ამავე დროს, ცხადია, რომ სამეცნიერო კვლევის რაც უფრო მეტი მნიშვნელოვანი შედეგი იქნება ნაჩვენები, მით გაიზრდება საერთაშორისო პატენტით დაინტერესების ალბათობა.

* საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
3.	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
	ZnMnTe/ZnMnTeO ნახევარგამტარული სტრუქტურის მიღება რადიკალურ-სხივური კვაზიეპიტაქსიის ტექნოლოგიური მეთოდით	მ. შარვაშიძე	1. თ. ბუთხუზი; 2. მ. შარვაშიძე; 3. ნ. გაფიშვილი; 4. ლ. ტრაპაიძე; 5. ე. კეკელიძე;
	<u>პრობლემა:</u> ამჟამად ოპტოელექტრული ინდუსტრია (მზის ბატარეების წარმოება) დაფუძნებულია ვიწროზონიან ნახევარგამტარებზე. ამჟამად ყველაზე მაღალი მზის ბატარეების სიმძლავრის მარგი ქმედების კოეფიციენტი ~ 31 % მიღწეულ იქნა ბატარეებში ვიწროზონიან ნახევარგამტართა სტანდარტულ მასალებზე. **<u>სიახლე:</u>** $Zn_{1-x}Mn_xO_yTe_{1-y}$ მასალის მიღება შესაძლებელია ZnMnTe ნიმუშის O+ იონების ჩანერგვით. ZnMnTe:O სისტემის შთანთქმის ზოლი მოიცავს (0.73; 1.83; და 2.56 ევ) მზის გამოსხივების სპექტრის ვრცელ უბანს, რაც უზრუნველყოფს ამ მასალისაგან მაღალი მარგი ქმედების კოეფიციენტის ფოტოგალვანური ხელსაწყოების მიღებას. მეცნიერთა აზრით, ასეთი მასალის მაღალი თვითღირებულება არის მიზეზი, რაც ზღუდავს აღნიშნული მასალების გამოყენებას მზის ბატარეების ინდუსტრიაში. ამიტომ აუცილებელია შემუშავებულ იქნას მეთოდი, რომელიც ჩაანაცვლებს წერტილოვანი პულსური ლაზერისა და ჟანგბადის იმპლანტაციას. **<u>ჩვენი წვლილი:</u> პროფ. თამაზ ბუთხუზის ხელმძღვანელობით შექმნილია ახალი უნიკალური – რადიკალურ-სხივური კვაზიეპიტაქსიის (რსკე) ხელსაწყო-დანადგარი (გამოგონებაზე აღებულია პატენტი), რომლის გამოყენებით გადაჭრილია ნახევარგამტართა ტექნოლოგიების ძირითადი პრობლემა: ფართოზონიანი ნახევარგამტარების თვისებების რეგულირება.**		

რსკე ტექნოლოგიაში ბაზად გამოიყენება ის ნახევარგამტარული კრისტალი, რომლის ოპტოელექტრული თვისებების რეგულირებაც უნდა მოხდეს.

რსკე-ს სხვადსხვა პარამეტრების გამოყენებით ჩატარდა რამდენიმე ექსპერიმენტი. ცდები ჩატარდა **$Zn_{0,88}Mn_{0,12}Te$; $Zn_{0,86}Mn_{0,14}Te$ და $Zn_{0,84}Mn_{0,16}Te** ბაზების გამოყენებით**.** ტესტირების შედეგად ნაჩვენები იქნა, რომ რსკე მეთოდის გამოყენებით **$Zn_{0,86}Mn_{0,14}Te$** -ის ბაზაზე მივიღეთ საუკეთესო თვისებების მქონე ZnMnTeO-ს ფენები.

შედეგებმა ცხადყო, რომ რსკე მეთოდს შეუძლია წარმატებით გადაჭრას მზის ბატერეების ალტერნატიული მასალების მიღების პრობლემა.

გამოკვლეულ იქნა რსკე მეთოდით მიღებული ZnMnTe/ZnMnTeO ნიმუშები. გაზომილ იქნა I-V დამოკიდებულება მზის გამოსხივების სიმულატორის (ქსენონის ნათურით 150W) გამოყენებით.

ტესტირებამ აჩვენა, რომ რსკე ტექნოლოგიური დანადგარის სხვადსხვა პარამეტრების გამოყენებით შესაძლოა ვარეგულიროთ ჟანგბადის კონცენტრაცია მიღებულ ZnMnTeO ფენებში.

ამრიგად, ZnMnTeO-ის მისაღებად რსკე არის პულსური ლაზერით გამოწვისა და ჟანგბადით იმპლანტაციის ალტერნატიული მეთოდი.

რსკე გვაძლევს საშუალებას ეფექტურად ვმართოთ ჟანგბადის კონცენტრაცია ახალ მიღებულ ფენებში.

რსკე-ს მეთოდის დემონსტრირებული შესაძლებლობები ქმნის ბაზას II-VI ნახევარგამტარებით მზის ბატარეების ალტერნატიული მასალების შესაქმნელად.

რსკე მეთოდის გამოყენებით ZnMnTe-ის ნიმუშებზე ZnMnTeO-ს ფენების მისაღებად ჩავატარეთ ექსპერიმენტები.

რსკე დანადგარში მოთავსებამდე ZnMnTe-ის ნიმუშზე განხორციელდა ტესტირება. გამოვიკვლიეთ ZnMnTe-ზე მზის გამოსხივების სიმულატორის დასხივების შედეგები. ტესტირებამ აჩვენა, რომ დასხივება ZnMnTe-ის ნიმუშში ძაბვის წარმოქმნას არ იწვევს.

ტესტირებული ZnMnTe-ის ნიმუში მოთავსებულ იქნა რსკე ტექნოლოგიურ დანადგარში და ჩატარდა რსკე თერმოდამუშავება.

სხვადსხვა პარამეტრების გამოყენებით ჩატარდა რამდენიმე ექსპერიმენტი. ტესტირების შედეგად ნაჩვენები იქნა, რომ რსკე მეთოდის გამოყენებით ZnMnTe-ის ბაზაზე მივიღეთ ZnMnTeO-ს ფენები.

ZnMnTe/ZnMnTeO ნიმუშები მიღებულია რსკე მეთოდის სხვადასხვა პარამეტრების გამოყენებით:

1. ნიმუში მივიღეთ T=300°C 3სთ რსკე თერმოდამუშავებით.
2. ნიმუში მივიღეთ T=300°C 4სთ რსკე თერმოდამუშავებით.
3. ნიმუში მივიღეთ T=350°C 3სთ რსკე თერმოდამუშავებით.
4. ნიმუში მივიღეთ T=350°C 4სთ რსკე თერმოდამუშავებით.

რსკე-ს მიმდინარეობისას ხდება კომპონენტთა ფარდობითი კონცენტრაციის


თანაბარი გადანაწილება. რსკე თერმოდამუშავებისას p-ტიპის ZnMnTe და n-ტიპის ZnMnTeO ფენებს შორის წარმოიქმნება იზოლატორული ფენა.

გამოკვლეულ იქნა რსკე მეთოდით მიღებული ZnMnTeO ფენები. გაზომილ იქნა ფოტოგამტარობა მზის გამოსხივების სიმულატორის (ქსენონის ნათურით 150W) გამოყენებით.

გაზომვები წარმოებდა ოთახის ტემპერატურაზე (T=300 K).

ნიმუშის ნომერი	ZnMnTeO ნიმუშის ზომა (სმ)	დისტანცია (სმ)	ძაბვა (ვოლტი)	ფოტოდენი დასხივებამდე (მკა)	ფოტოდენი ქსენონის ნათურით დასხივების შემდეგ (მკა)
1.	0,5x0,5	20	5	50	65
2.	0,5x0,5	20	5	20	30
3.	0,5x0,5	20	5	5	20
4.	0,5x0,5	20	5	15	35

რსკე მეთოდით მიღებული ZnMnTe/ZnMnTeO (ნიმუში 4) I-V დამოკიდებულება იქნა გამოკვლეული.



გაზომვები (ნიმუში მივიღეთ T=350°C 4სთ რსკე თერმოდამუშავებით) წარმოებდა ოთახის ტემპერატურაზე (T=300 K).

ელექტრული კვლევების შედეგები სტაბილურად ნარჩუნდება არაუმცირეს 7 წლის განმავლობაში.

ეს შედეგები აჩვენებს, რომ რადიკალურ-სხივური კვაზიეპიტაქსიის (რსკე) მეთოდი ეფექტურად აკონტროლებს ფართოზონიანი ნახევარგამტარის ელექტრო-ოპტიკურ თვისებებს, რაც მნიშვნელოვანია დეგრადაცია მედეგი p-n გადასასვლელების, ტრანზისტორების და სხვა ოპტოელექტრული სისტემების მისაღებად.

გამოყენება: ამ პროექტის შესრულება საშუალებას მოგვცემს გამოვიკვლიოთ რსკე მეთოდით მიღებული ZnMnTe/ZnMnTeO სტრუქტურის ელექტრო-ოპტიკური მახასიათებლები.

რსკე მეთოდის გამოყენება ZnMnTeO-ს მომავლის მასალიდან მზის ბატერეების წარმოებისთვის აქტიურად გამოყენებად მასალად აქცევს.

ამრიგად, ამ პროექტის შესრულება გვაძლევს შანსს გადავჭრათ მზის ბატარეების წარმოების უმთავრესი პრობლემა:

1. დავნერგოთ ახალი, იაფი და მაღალეფექტური რსკე ტექნოლოგიური მეთოდი, რომელიც მზის ბატარეების ალტერნატიული მასალების ZnMnTe/ZnMnTeO სერიული წარმოების საშუალებას მოგვცემს;
2. მოვახდინოთ რსკე ტექნოლოგიური დანადგარის მოდერნიზება მიღებული შედეგების გათვალისწინებით და ZnMnTe/ZnMnTeO მასალების გამოყენებით გავზარდოთ მზის ბატარეების სიმძლავრის მარგი ქმედების კოეფიციენტი (56% – 63%).

აღნიშნული პროექტის განხორციელება საშუალებას მოგვცემს:

1. ნათლად წარმოვადგინოთ რსკე ტექნოლოგიური მეთოდის უპირატესობანი ფართოზონიანი II-VI ნახევარგამტარების თვისებების სამართავად გამოყენებულ მეთოდებთან შედარებით;
2. ვაჩვენოთ, რომ რსკე მეთოდი გამოყენებადია ნებისმიერი ორ ან მეტ-კომპონენტიანი ნახევარგამტარის თვისებების ეფექტური მართვისთვის;
3. მივიღოთ დეგრადაციამედეგი ZnMnTe/ZnMnTeO სტრუქტურები;
4. შევქმნათ წინაპირობა რსკე ტექნოლოგიურ დანადგარზე საერთაშორისო პატენტის მომზადებისთვის.

ამავე დროს, ცხადია, რომ სამეცნიერო კვლევის რაც უფრო მეტი მნიშვნელოვანი შედეგი იქნება ნაჩვენები, მით გაიზრდება საერთაშორისო პატენტით დაინტერესების ალბათობა.

დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)


ZnO-ის ბაზაზე ცისფერი და ულტრაიისფერი შუქმნათი დიოდების მიღება რადიკალურ სხივური კვაზიეპიტაქსიის (რსკე) მეთოდით

ZnO-ში მინარევული p-ტიპის გამტარობის მისაღებად ჩვენს მიერ ჩატარდა შემდეგი ექსპერიმენტი: n-ტიპის ZnO (წარმოებული Cermet, Inc.) იმპლანტირებულ იქნა F^+ იონებით კონცენტრაციით 10^{20} სმ$^{-3}$, ენერგიებით E=110 კევ და დოზებით D=10^{16} სმ$^{-2}$. იმპლანტირებულ ZnO კრისტალში წარმოქმნილი დეფექტების გამოწვა მიმდინარეობდა რსკე მეთოდით. რსკე თერმოდამუშავების ხანგრძლივობა იყო 3, 4 და 6 საათი. შედეგად ჩვენ მივიღეთ ZnO:F ახალი კვაზიეპიტაქსიური ფენები. ჰოლის გამოკვლევების მიხედვით (ვან დერ პაუს მეთოდით) ZnO:F ეპიტაქსიური ფენები მიღებული 4 და 6 საათიანი დამუშავებით არიან p-ტიპის. გაზომვები ჩატარებულ იქნა ოთახის ტემპერატურაზე.

მიღებული ფენების ტიპი	რსკე-ში დამუშავების ტემპერატურა T °C	რსკე დამუშავების ხანგრძლივობა t (h)	თავისუფალი გადამტანების ძვრადობა μ (cm^2/Vs)	თავისუფალი გადამტანების კონცენტრაცია n (cm^{-3})	კუთრი წინაღობა ρ (Ω cm)
2. n	**400**	**3**	**1500**	**$1,5x10^{19}$**	**$2,7x10^{-4}$**
4. p	**400**	**4**	**220**	**$1,6x10^{18}$**	**$1,8x10^{-2}$**
6. p	**400**	**6**	**270**	**$1,0x10^{19}$**	**$2,3x10^{-3}$**
7. p	**400**	**6**	**250**	**$7,7x10^{18}$**	**$1,8x10^{-3}$**

პირველ შემთხვევაში 3 საათიანი დამუშავებისას ნიმუში (No 1) იმპლანტაცია რადიაციულ დეფექტთა წარმოქმნის გამო იმპლანტირებულ ფენებში იწვევს დიფუზიის სტიმულირებას. ბაზური კრისტალიდან ახალ მშენებარე ფენებში ექსტრაგირებული თუთიის კონცენტრაცია ძალაინ მაღალია. როგორც ჩანს, 3 საათი არასაკმარისია რადიაციულ დეფექტთა მკურნალობისათვის, შესაბამისად დიფუზია აქტიურია. შედეგად მიღებულ ფენებში თუთიის კონცენტრაცია ჭარბობს ჟანგბადის კონცენტრაციას. ეს იწვევს n-ტიპის ZnO-ს ფენების წარმოქმნას 400°C-ზე რსკე-ში თერმოდამუშავებისას (3 საათის განმავლობაში).

ცხრილში განხილულ II, III და IV შემთხვევაში მივიღეთ p-ტიპის ZnO-ს ახალი ფენები რსკე თერმოდამუშავების ტემპერატურა იყო 400°C და დრო შეადგენდა 4, 6 და 6 საათს შესაბამისად. 4-საათიანი თერმოდამუშავებისას ხდება იმპლანტაციისას წარმოქმნილ რადიაციულ დეფექტთა მკურნალობა, რის გამოც ბაზურ კრისტალში დიფუზიური პროცესები შენელდება. ეს იწვევს ახალ მშენებარე კვაზიეპიტაქსიურ ფენებში თუთიის კონცენტრაციის შემცირებას. ამრიგად, ახალ მშენებარე ფენებში დომინირებადია (V_{Zn}-Fo) ასოციატი, რომელისც წარმოიქმნა (V_{Zn}-V_O) დეფექტიდან ფტორის ჩანაცვლებით ჟანგბადთან. ამრიგად, კვაზიეპიტაქსიურ ZnO ფენებში, რომელიც მიიღება ZnO:F ბაზაზე დომინირებადი დეფექტია (V_{Zn}-Fo) ასოციატი. ეს არის პრინციპული მიზეზი, რამაც შესაძლებელი გახადა p-ტიპის ZnO-ს მიღება და რაც წინასწარ გათვლილი იქნა პირველადი პრინციპის ზონური სტრუქტურების მეთოდით [31].



ბნელი I-V მახასიათებლები რსკე მეთოდით მიღებულ p-i-n ZnO/ZnO:F სტრუქტურაზე (გაზომილია Cermet Inc.-ში).

აღნიშნული შედეგები ადასტურებს რსკე-ს მიმდინარეობისას დეფექტთა წარმოქმნის წარმოდგენილ მექანიზმს.

ეს შედეგები აჩვენებს, რომ რსკე მეთოდი ეფექტურად აკონტროლებს ZnO ნახევარგამტარის ელექტრო-ოპტიკურ თვისებებს, რაც მნიშვნელოვანია ოპტოელექტრული სისტემების მისაღებად.

რსკე-ს მეთოდის დემონსტრირებული შესაძლებლობები ქმნის ბაზას p-n გადასასვლელის, ულტრაიისფერი შუქმნათი დიოდისა და ულტრაიისფერი ლაზერის შესაქმნელად. ეს ZnO-ს მომავლის მასალიდან ოპტოელექტრული სტრუქტურების შესაქმნელად აქტიურად გამოყენებად მასალად აქცევს.

რსკე მეთოდს აქვს შემდეგი მნიშვნელოვანი განსაკუთრებულობა: ფიქსირებული ჟანგბადის კონცენტრაციისას შესაძლებელია ვარეგულიროთ ბაზური კრისტალიდან თუთიის მიწოდება ტემპერატურის ვარირების მეშვეობით. რსკე მეთოდი აკონტროლებს სტექიომეტრულ შემადგენლობას როგორც მიღებულ ფენებში, ასევე ბაზურ კრისტალში, რაც შესაძლებელს ხდის პრაქტიკულად გამოყენებადი შედეგების მიღწევას. დიფრაქტოგრამისა და ოპტიკური კვლევა აჩვენებს, რომ რსკე მეთოდის გამოყენებით ZnO-ს მონოკრისტალური ფენები იქნა მიღებული ZnS-Au ბაზაზურ კრისტალზე [28].

რსკე მეთოდით Au–ZnO–ZnS–In სისტემაზე ცისფერი შუქმნათი დიოდი იქნა მიღებული [21, 22]. რსკე მეთოდით ZnO-ს ბაზაზე ულტრამონოკრისტალური და ულტრამაღალი ხარისხის ZnO-ს ფენები იქნა მიღებული. აღნიშნული ფენების ფოტოლუმინესცენციის სპექტრში დამზერილ იქნა A, B და C თავისუფალი ექსიტონური გამოსხივება, რომელთა დაფიქსირებაც გამოწვეულია კრისტალში პოლარიტონის არსებობასთან [19, 26].

ამრიგად, ამ პროექტის განხორციელება შანსს გვაძლევს გადავჭრათ ოპტოელექტრონიკის მთავარი ამოცანა: ფართო დიაპაზონში ვმართოთ II-VI ფართოზონიანი ნახევარგამტარების ელექტრო-ოპტიკური თვისებები და მივიღოთ მკვეთრი p-n გადასასვლელი, ტრანზისტორი, ულტრაიისფერი შუქმნათი დიოდი.

დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

ZnMnTe/ZnMnTeO ნახევარგამტარული სტრუქტურის მიღება რადიკალურ-სხივური კვაზიეპიტაქსიის ტექნოლოგიური მეთოდით

რსკე მეთოდის გამოყენებით ZnMnTe-ის ნიმუშებზე ZnMnTeO-ს ფენების მისაღებად ჩავატარეთ ექსპერიმენტები.

რსკე დანადგარში მოთავსებამდე ZnMnTe-ის ნიმუშზე განხორციელდა ტესტირება. გამოვიკვლიეთ ZnMnTe-ზე მზის გამოსხივების სიმულატორის დასხივების შედეგები. ტესტირებამ აჩვენა, რომ დასხივება ZnMnTe-ის ნიმუშში ძაბვის წარმოქმნას არ იწვევს.

ტესტირებული ZnMnTe-ის ნიმუში მოთავსებულ იქნა რსკე ტექნოლოგიურ დანადგარში და ჩატარდა რსკე თერმოდამუშავება.

სხვადასხვა პარამეტრების გამოყენებით ჩატარდა რამდენიმე ექსპერიმენტი. ტესტირების შედეგად ნაჩვენები იქნა, რომ რსკე მეთოდის გამოყენებით ZnMnTe-ის ბაზაზე მივიღეთ ZnMnTeO-ს ფენები.

ZnMnTe/ZnMnTeO ნიმუშები მიღებულია რსკე მეთოდის სხვადასხვა პარამეტრების გამოყენებით:

1. ნიმუში მივიღეთ T=300°C 3სთ რსკე თერმოდამუშავებით.
2. ნიმუში მივიღეთ T=300°C 4სთ რსკე თერმოდამუშავებით.
3. ნიმუში მივიღეთ T=350°C 3სთ რსკე თერმოდამუშავებით.
4. ნიმუში მივიღეთ T=350°C 4სთ რსკე თერმოდამუშავებით.


რსკე-ს მიმდინარეობისას ხდება კომპონენტთა ფარდობითი კონცენტრაციის თანაბარი გადანაწილება. რსკე თერმოდამუშავებისას p-ტიპის ZnMnTe და n-ტიპის ZnMnTeO ფენებს შორის წარმოიქმნება იზოლატორული ფენა.

გამოკვლეულ იქნა რსკე მეთოდით მიღებული ZnMnTeO ფენები. გაზომილ იქნა ფოტოგამტარობა მზის გამოსხივების სიმულატორის (ქსენონის ნათურით 150W) გამოყენებით.

გაზომვები წარმოებდა ოთახის ტემპერატურაზე (T=300 K).

ნიმუშის ნომერი	ZnMnTeO ნიმუშის ზომა (სმ)	დისტანცია (სმ)	ძაბვა (ვოლტი)	ფოტოდენი დასხივებამდე (მკა)	ფოტოდენი ქსენონის ნათურით დასხივების შემდეგ (მკა)
1.	**0,5x0,5**	**20**	**5**	**50**	**65**
2.	**0,5x0,5**	**20**	**5**	**20**	**30**
3.	**0,5x0,5**	**20**	**5**	**5**	**20**
4.	**0,5x0,5**	**20**	**5**	**15**	**35**

რსკე მეთოდით მიღებული ZnMnTe/ZnMnTeO (ნიმუში 4) I-V დამოკიდებულება იქნა გამოკვლეული.



გაზომვები (ნიმუში მივიღეთ T=350°C 4სთ რსკე თერმოდამუშავებით) წარმოებდა ოთახის ტემპერატურაზე (T=300 K).

	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

IV პუბლიკაციები:

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	T. Butkhuzi, M. Sharvashidze, N. Gapishvili, L. Trapaidze, T. Khulordava, E. Kekelidze, L. Apciauri	„ ბტაინინგ ოფ ძნ ნთე/ ძნ ნთე სტრუცტურეს ბყ ღ მეტჰოდ“		**ხელნაწერის სახით**	
2	T. Butkhuzi, M. Sharvashidze,	„Obtaining of ZnO/ ZnO p-i-n structures		ხელნაწერის სახით	

	N. Gapishvili, L. Trapaidze, T. Khulordava, E. Kekelidze, L. Apciauri	by RBQE method“			

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**მ. შარვაშიძე თ. ბუთხუზი, ნ. გაფიშვილი, ლ. ტარაპაიძე, თ. ხულორდავა, ე. კეკელიძე, ლ. აფციაური**	**ZnMnTe/ZnMnTeO სტრუქტურის მიღება რსკე ტექნოლოგიური მეთოდის გამოყენებით**	**2014 იანვარი, თბილისი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**


მოხსენებათა ანოტაციები

1. ZnMnTe/ZnMnTeO სტრუქტურის მიღება რსკე ტექნოლოგიური მეთოდის გამოყენებით


მ. შარვაშიძე თ. ბუთხუზი, ნ. გაფიშვილი, ლ. ტრაპაიძე,
თ. ხულორდავა, ე. კეკელიძე, ლ. აფციაური
ელ-ფოსტა: maia.sharvashidze@tsu.ge
ნახევარგამტარების ფიზიკის ინსტიტუტი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსტეტი, ჭავჭავაძის #3

ვიწროზონიან ნახევარგამტართა ბაზაზე შექმნილი მაქსიმალური სიმძლავრის მქონე მზის ბატარეების მქკ=31%. თეორიულმა და ექსპერიმენტულმა კვლევებმა განსაზღვრა, რომ ZnMnTeO მასალის თვისებები მაღალი **მქკ-ის** მქონე მზის ბატარეების წარმოების პერსპექტივას ქმნის (56-63%) [1-3]. ZnMnTeO ნახევარგამტარის შთანთქმის ზოლი მზის გამოსხივების ვრცელ უბანს მოიცავს (0,73ევ; 1,83ევ; 2,56ევ). ZnMnTeO მასალის მიღება შესაძლებელია ZnMnTe ნიმუშში ჟანგბადის იმპლანტაციით. იმპლანტაციის შემდეგ ნიმუში წერტილოვანი პულსური ლაზერის გამოყენებით მუშავდება. ეს ტექნოლოგია ZnMnTe:O მასალის მაღალ თვითღირებულებას განაპირობებს, რაც ხელს უშლის ამ გამოგონების დანერგვას მზის ბატარეების ინდუსტრიაში.

ამგვარად, საჭიროა რაიმე ახალი მეთოდის გამოყენება, რომელიც აღნიშნულ ტექნოლოგიას წარმატებით ჩაანაცვლებს. ჩვენს მიერ შემუშავებულია რადიკალურ-სხივური კვაზიეპიტაქსიის (რსკე) მეთოდი, რომელიც ფართოზონიან ნახევარგამტართა თვისებებს ეფექტურად მართავს [4-9]. ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ ZnMnTe-ის რსკე-ით დამუშავებით მივიღეთ p-i-n გადასასვლელი ZnMnTe/ZnMnTeO სტრუქტურის ბაზაზე. ZnMnTeO ფენებში გამოვიკვლიეთ ფოტოგამტარობა (დასხივდა ქსენონის ნათურით 150W). სინათლის წყაროდან ნიმუშამდე მანძილია 20სმ, სამუშაო ძაბვა 5ვ.



ZnMnTe/ZnMnTeO ბაზაზე შექმნილი p-i-n სტრუქტურის I-V მახასიათებელი (ნიმუში 4)



ნიმუშის ნომერი	რსკე დამუშავების ტემპერატურა და დრო (°C) სთ	ფოტოდენი დასხივებამდე (მკა)	ფოტოდენი დასხივების შემდეგ (მკა)
1.	300 - 3	50	65
2.	300 - 4	20	30
3.	350 - 3	5	20
4.	350 - 4	15	35

ამრიგად, რსკე მეთოდით ZnMnTeO-ის მიღებამ აჩვენა რსკე ტექნოლოგიური მეთოდის უპირატესობა აქამდე გამოყენებულ ტექნოლოგიასთან შედარებით და დაგვანახა რსკე მეთოდის პერსპექტივა მაღალეფექტური (მქკ=56%-63%) მზის ბატარეების წარმოებაში.

ლიტერატურა:

[1] Walukiewicz, W.; Yu, K.M.; et al. "Highly Mismatched Alloys for Intermediate Band Solar Cells" Lawrence Berkeley National Laboratory (2005)
[2] Ager III, Joel W.; Walukiewicz, W.; Yu, Kin Man "Ultrahigh Efficiency Multiband Solar Cells" Lawrence Berkeley National Laboratory (2006)
[3] A. Avdonin*a*, Le Van Khoi*a*, et.al. "Preparation and Optical Properties of Zn1*¡x*Mn*x*Te1*¡y*O*y* Highly Mismatched Alloy "Proceedings of the XXXVI Inter. School of Sem. Comp., Jaszowiec 2007
[4] T. Butkhuzi., at. all., Phys.Rev. B Vol. **58**, **16**, 10692 (1998)
[5] Butkhuzi T.V., at all., J. Crystal growth, V 117, pp. 366-369 (1992)
[6] Butkhuzi T. V., at all., Phys. stat. sol. (b) 229, No.1, 365-370 (2002)
[7] T. Butkhuzi, at. all., Sem. Science and Technology Vol. 16 pp. 575-580 (2001)
[8] T. Butkhuzi, at. all., Phys. Stat. Sol. (b) 221, 313 (2000)
[9] T. Butkhuzi, at. all., The 2003 U.S. Workshop on the Physics and Chemistry of II-VI Materials, Extended Abstracts, pp. 87-90, (2003)

* საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებელი
4	IV-VI ნახევარგამტართა დაძაბული თხელი ფენების და სტრუქტურების მიღება და კვლევა	ომარ დავარაშვილი	1. მეგი ენუქაშვილი 2. ლარისა ბიჩკოვა 3. გიორგი ბრაილოვსკი
	გრძელდებოდა სამუშაოები IV-VI ნახევარგამტართა დაძაბული თხელი ფენებისა და სტრუქტურების მიღების ტექნოლოგიური პროცესების (მოლეკულური ეპიტაქსიის მეთოდი "ცხელი კედლით") ოპტიმიზაცია და მიღებული ფენების პარამეტრების კვლევის მიმართულებით. როგორც ადრე ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, IV-VI ნახევარგამტართა დაძაბული თხელი ფენები და ჰეტეროსტრუქტურები რიგი ახალი თვისებებით გამოირჩევა, რაც მათ ბაზაზე შექმნილ ოპტოელექტრონულ ხელსაწყოთა პარამეტრების ამაღლების საშუალებას იძლევა! მიმდინარე საანგარიშო წელს კვლევები ძირითადში ორი მიმართულებით მიმდინარეობდა:		

	1. მაღალი დონის (ხარისხის) დაძაბული ნანოფენების მიღება, რაც აპრიორში მოითხოვდა დეფორმაციის დამოკიდებულების შესწავლას ეპიტაქსიის წყაროს და საფენის ტემპერატურებზე, ასევე ექსპერიმენტის გეომეტრიაზე. 2. აუცილებელი იყო, ასევე ოპტიკური ტრანსმისიის სპექტრების უფრო კორექტული დამუშავება აკრძალული ზონის სიდიდეთა დასადგენად ნანოფენებში, ასევე გარდატეხის მაჩვენებლის, არეკვლისა და შთანთქმის კოეფიციენტების განსაზღვრა დენის მატარებელთა კონცენტრაციის ფართო დიაპაზონში. აღნიშნულთან დაკავშირებით დეტალურად იქნა შესწავლილი და გაანალიზირებული IV-VI ნახევარგამტართა მყარი ხსნარები PlSnTe და PlSSe, ასევე PlTe და PlSe დაძაბული ფენების კრისტალური მესრების პარამეტრები და მათი ოპტიკური ტრანსმისიის სპექტრები. აღმოჩენილ იქნა დამატებითი შთანთქმა სპექტრის არეში ფუნდამენტურ და დენის მატარებელთა შთანთქმის უბანთა შორის, რომელიც აიხსნება დენის მატარებელთა გადასვლებით დაშვებული ზონების სხვადასხვა განშტოებებს შორის. კვლევის შედეგად დადგენილი იქნა, ასევე დაძაბული ეპიტაქსიური ფენების აკრძალული ზონის სიგანეები, რომლებიც კორელაციაშია მათი დეფორმაციის ხარისხთან და არ იცვლება დამატებითი შთანქთმის პირობებში. კვლევათა შედეგები, ასევე ტექნოლოგიური სიახლეები ფენებში დეფორმაციის დონის ასამაღლებლად შესაძლებლობას იძლევა IV-VI ნახევარგამტართა უფრო ფართო გამოყენებას ინფრაწითელ ფოტონიკაში. კვლევების შედეგები გამოქვეყნებულია სამეცნიერო სტატიების სახით, როგორც საქართველოში (3), ასევე საზღვარგარეთ (3). ანოტაცები თან ერთვის.

1. A Pashaevl, O Davarashvili, M Enukashviliz, Z Akhvlediani, R Gulyaev and M A Dzagania Variations of the parameters of PbSe nanolayers with change of their technology

Abstract. For designing IR photodetectors based on strained PbSe layers, the optimization of the technology of molecular epitaxy with a "hot-wall" has been performed with the aim of fabrication of the layers with combining high values of residual deformation and thickness. By investigating the characteristics of layers such as the thickness, tangential lattice constant, deformation and x-ray diffraction line halfwidth, the best conditions for growing the layers of optimal thickness of 50-80nm and the highest deformation 1- $l0^{-2}$ were obtained. The width of the forbidden gap in the obtained layers increased by 0.15eV at T=300K as compared with unstrained PbSe layers.

2. ა.ფაშაევი, ო. დავარაშვილი, მ. ენუქაშვილი, ზ. ახვლედიანი, რ. გულიაევი, მ. ძაგანია ბშე ნანოფენების პარამეტრების ცვლილებები მათი ტექნოლოგიის ცვალებადობისას, ატერიალს შციენცე ანდ ნგინეერინგ , 2015 , 7 , 012017 , 1-6

რეზიუმე. იმ ფოტოდეტექტორების შესაქმნელად დაძაბული PbSe ფენების საფუძველზე მიღებული მოლეკულური ეპიტაქსიის „ცხელი კედლით“ მეთოდით

ჩატარებულია ოპტიმიზაცია, კერძოდ, მაღალი დეფორმაციის მისაღებად ფენებში ასევე მაღალი სისქეებით. ოპტიმალური სისქეების დიაპაზონში 50-806მ რეალიზირებულია დეფორმაციები 1.10^{-2} დონეზე ტანგენციალური მესრის პარამეტრების, დეფორმაციების და რენტგენოდიფრაკციული ხაზების ნახევარსიგანის გამოკვლევების შედეგად. აკრძალული ზონის სიგანე დაძაბულ ფენებში 300 ტემპერატურაზე მატულობს 0,15 ევ არადაძაბულ ფენებთან შედარებით.

3. А. М. Пашаев, О. И. Даварашвили., М. И. Енукашвили, З. Г. Аквледиани, Л. П. Бычкова, М. А. Дзагания, В. П. Зломанов" **МОДЕЛИРОВАНИЕ СПЕКТРОВ ОПТИЧЕСКОГО ПОГЛОЩЕНИЯ НАПРЯЖЕННЫХ ЭПИТАКСИАЛЬНЫХ СЛОЕВ СЕЛЕНИДА СВИНЦА" Физическая Химия**

В работе предпринята попытка 3 рамках экспериментальных Данных провести моделирование параметров энергетического спектра и рассеяния носителей заряда: уровня Ферми, ширины запрещенной зоны, подвижности носителей заряда и выявить их влияние на характер спектров оптического поглощения напряженных эпитаксиальных слоев селенида свинца (толщиной (200нм). Спектры поглощения построены по экспериментальным спектрам пропускания при последовательном определении коэффициентов отражения по амплитуде и поглощения (модель интерферометра Фабри—перо). Анализ спрямления квадратов коэффициентов поглощения позволил выявить значение ширины запрещенной зоны в напряженных споях, а также показал присутствие дополнительного поглощения между краем поглощения и возрастающим с длиной волны поглощением на свободных носителях. Оказалось, что в слоях с толщиной <200нм уровень дополнительного поглощения близок к его уровню в слоях толщиной ~1мкм. Это означает, что дополнительное поглощение не связано с возрастанием дефектности слоев с уменьшением их толщин, как это следует из понижения подвижности носителей заряда более чем на порядок при уменьшении толщины слоя от 1мкм до 18онм.

4. არიფ ფაშაევი, ომარ დავარაშვილი, მეგი ენუქაშვილი, ზაირა ახვლედიანი, ლარისა ბიჩკოვა, მაია ძაბანია, ვლადიმირ ზლომანოვი **დაძაბული ეპიტაქსიალური ფენების ოპტიკური შთანთქმის სპექტრების მოდელირება**

რეზიუმე ნაშრომში მცდელობაა ექსპერიმენტულ მონაცემებზე დაყრდნობით ენერგეტიკული სპექტრის და დენის გამტართა განბნევის პარამეტრების: ფერმის დონის, აკრძალული ზონის სიგანის და დენის გამტართა ძვრადობის მოდელირების და მათი გავლენის შესწავლა ოპტიკური შთანთქმის სპექტრების ხასიათზე (ფენის სისქით <200 ნმ). შთანთქმის სპექტრები აგებულია ექსპერიმენტული ტრანსმისიის სპექტრებზე დაყრდნობით და თანმიმდევრული განსაზღვრით არეკვლის ამპლიტუდით და შთანთქმის კოეფიციენტების განსაზღვრით (ფაბრ-პეროს ინტერფერომეტრის მოდელი). შთანთქმის კოეფიციენტების კვადრატების ექსტრაპოლაციის ანალიზმა შესაძლებელი გახადა გამოევლინა დაძაბულ ფენებში აკრძალული ზონის სიგანე და დამატებითი შთანთქმა კიდის შთანთქმასა და დენის გამტარებლებზე შთანთქმას შორის. აღმოჩნდა, რომ დამატებითი შთანთქმის დონე ≤200ნმ სისქის ფენებში უახლოვდება მის სიდიდეს ~1მკმ სისქის ფენებში. ეს ნიშნავს, რომ დამატებითი შთანთქმა ფენის სისქის შემცირებისას არ არის დამოკიდებული ფენების მზარდ დეფექტიანობაზე, როგორც ეს ვლინდება დენის გამტართა ძვრადობის შემცირებისას ერთი რიგით, როდესაც ფენის სისქე მცირდება 1მკმ-დან 180 ნმ-მდე.

5.A. M. Pashaev, O. I. Davarashvili, M. I. Enukashvili1, Z. G. Akvlediani, L. P. Bychkova, M. A. Dzagania and V. P. Zlomanov **MODELING OF THE OPTICAL ABSORPTION SPECTRA OF THE STRAINED EPITAXIAL LEAD SELENIDE LAYERS**

SUMMARY In the work in the frame of the experimental data an attempt was made to model parameters of energy spectrum and scattering of current carriers: Fermi level, forbidden gap width, mobility of current carriers and reveal their influence on the character of the optical absorption spectra of the strained epitaxial lead selenide layers (with thickness <200nm). Absorption spectra were constructed on the base of the experimental transmission spectra by consecutive determination of the coefficients of reflection on the amplitude and absorption (model of the Fabry - Perot interferometer) The value of the forbidden gap width of the strained layers was established by analysis of the straightening of squared of the absorption coefficient. This analysis also showed, that additional absorption between the absorption edge and the
absorption on free carriers is real fact . It was found, that additional absorption in the layers with thickness <200nm is closed to its level in the layers with thickness ~ 1pm. This showed, that additional absorption was not caused by centers of imperfections, when thickness decreased from 1pm to 180nm, but their influence was on the mobility - it decreased more than one order.

6. A. M. Pashaev 1, O. I. Davarashvili 2, M. I. Enukashvili, Z. G Akhvlediani, L. P. Bychkova, V. P. Zlomanov **INVESTIGATION OF THE OPTICAL ABSORPTION SPECTRA OF THIN EPITAXIAL LEAD SELENIDE A LAYERS APPROACHIN G THE NANOSCALE THICIGIESS**

Abstract By sophisticated treatment of the optical absorption spectra of thin epitaxial layers of lead selenide of different thickness approaching the nanorange, the presence of similar additional absorption for all layers was revealed. Such absorption was detected between the absorption edge and the absorption on free current carriers increasing with the wavelength. When constructing the absorption spectra by the experimentally investigated transmission spectra, the criteria of their treatment were strengthened by considerations for the absorption - relation between the layers with low and high concentrations of current carriers, and from ' which level of absorption the transitions related to the absorption edge were to be considered. This resulted in the fact that, upon straightening the squared absorption coefficients, the obtained values of the forbidden gap width were in good correlation with the results obtained with the corresponding deformation of thin layers, and the contribution of the additional absorption to their determination was negligible.

7. არიფ შაშაევი, ომარ დავარაშვილი, მები სენუძაშვილი, ზაირა ახვლედიანი, ლარისა ბიჩკოვა, ვლადიმერ ზლომანოვი **ტყვია სელენიდის თხელი ეპიტაქსიალური ფენების (სისქეების ნანოდიაპაზონთან მიახლოებისას) ოპტიკური შთანთქმის სპექტრების გამოკვლევა**

რეზიუმე. სხვადასხვა სისქის, მათ შორის ნანოდიაპაზონთან მოახლოებისას, ტყვია სელენიდის ეპიტაქსიალური ფენების ოპტიკური შთანთქმის სპექტრების დამუშავებამ გამოავლინა დამატებითი შთანთქმა. ამგვარი შთანთქმა ვლინდება სპექტრის მონაკვეთში ფუნდამენტალური შთანთქმის და დენის გამტარებზე შთანთქმის შორის. შთანთქმის სპექტრებში, აღდგენილ ოპტიკური ტრანსმისიის სპექტრების დამუშავებით გათვალისწინებულია დენის გამტართა მაღალი კონცენტრაციის გავლენა. შთანთქმის კოეფიციენტების კვადრატების ექსტრაპოლაციის შედეგად დადგენილია ფენების აკრძალული ზონის სიგანე,

რომელიც კორელაციაშია მათ დეფორმაციასთან და არ იცვლება დამატებითი შთანთქმის პირობებში.

8. A. M. Pashaev 1, O. I. Davarashvili 2, M. I. Enukashvili, Z. G Akhvlediani, L. P. Bychkova, V. P. Zlomanov **Analysis of the absorption spectra of epitaxial lead telluride and lead selenide layers**

Abstract. By processing the optical transmission spectra, the index of refraction, and reflection and absorption coefficients of epitaxial PbTe and PbSe layers (grown on BaF_2 (111) and Na Cl (100) substrates, respectively, by molecular epitaxy with a "hot wall", were measured sequentially by the elaborated scheme. The concentration of current carriers varied in the range from $10^{18}cm^{-3}$ to $10^{19}cm^{-3}$. The analyses of the obtained absorption spectra was performed, and the squared absorption coefficients were straightened with the purpose to determine the forbidden gap width.

Special emphasis is placed on the effect of high concentration of the current carriers on the type of dispersion of the index of refraction, the absorption by free carriers and the degeneration of the current carriers. An approach to correct determination of the forbidden gap width with the formal transition from the degenerated semiconductor to the nondegenerate one by modification of the absorption coefficient was worked out. With limitation of the range of energy at which the absorption undergoes changes, additional absorption between the absorption edge and the absorption by free carriers increasing with the wavelength was revealed in the PbSe layers. For the PbTe layers with a lower concentration of current carriers, the additional absorption was found by the model analysis of transmission spectra at zero absorption.

9. ა.ფაშაევი, ო.დავარაშვილი, მ.ენუქაშვილი, ზ.ახვლედიანი, ლ.ბიჩკოვა, მ.ძაგანია, ვ.ზლომანოვი **ტყვია ტელურიდის და ტყვია სელენიდის ეპიტაქსიალური ენების შთანთქმის სპექტრების ანალიზი** IJEIT, 2015 v.4, issuse 11, 193-198

რეზიუმე. ოპტიკური ტრანსმისიის სპექტრების დამუშავებისას PbTe და PbSe ეპიტაქსიალურ ფენებში (გაზრდილთ BaF_2 (111) და NaCl (100) საფენებზე მოლეკულური ეპიტაქსიის „ცხელი კედლით" მეთოდით) დადგენილია გარდატეხის მაჩვენებელი, არეკვლის და შთანთქმის კოეფიციენტები. დენის გამტართა კონცენტრაცია ფენებში იცვლებოდა 10^{18} - $10^{19}სმ^3$ ფარგლებში. განხორციელებულია შთანთქმის სპექტრების ანალიზი და შთანთქმის კოეფიციენტების კვადრატების ექსტრაპოლიაციის შედეგად დადგენილია აკრმალული ზონის სიგანე.

შრომაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დენის გამტართა მაღალი კონცენტრაციის გავლენას გარდატეხის მაჩვენებლის დისპერსიაზე, დენის გამტართა შთანთქმაზე და მათ გადაგვარებაზე. აკრძალული ზონის კორექტული მნშვნელობის დადგენა ხორციელდება შთანთქმის კოეფიციენტის გადაყვანით არაგადაგვარებულ პირობებში. PbSe ფენებში ფუნდამენტურ შთანთქმის და დენის გამტარებზე შთანთქმის შორის ოპტიკურ სპექტრში აღმოჩენილია დამატებითი შთანთქმა. ხოლო PbTe ფენებში უფრო დაბალი კონცენტრაციით დამატებითი შთანთქმა გამოვლინდა ტრანსმისიის სპექტრის მოდელირებით ნულოვან შთანთქმისას.

10. A. M. Pashaev 1, O. I. Davarashvili 2, M. I. Enukashvili, Z. G Akhvlediani, L. P. Bychkova, V. P. Zlomanov CONTROL OF THE FORBIDDEN GAP WIDTH BY VARYING THE COMPOSITION OR THE THICKNESS OF THE LAYERS OF IV-VI SEMICONDUCTORS

Abstract The paper deals with investigation of the lattice constants of solid solutions $Pb_{1-x}Sn_xTe$ and $PbS_{1-x}Se_x$ and strained semiconductors PbTe and PbSe, and of their optical transmission spectra. The objective of the investigation is to reveal possible spectral overlap of the forbidden gap width in the layers of solid solutions of different compositions and of strained semiconductors. By the lattice constants, compositions x of solid solutions and deformation $\varepsilon = (\alpha-\alpha_s) / \alpha_s$ in strained layers were determined. The forbidden gap width of the layers under study was determined by straightening the squared absorption coefficients obtained by the analysis of transmission spectra. It is shown, that with compression of the PbTe layers 60 nm in thickness grown on B_aF_2 substrates, at T = 300 K the forbidden gap width coincides with that for the solid solution $Pb_{1-x}Sn_xTe$ of composition $x \approx 0.11$. For the PbSe layer 66 nm thick grown on the KCI substrate, with tension of the layer, the forbidden gap width exceeds, that for the PbS layer. If we grow the strained PbS layers with tension on substrates B_aF^2, or KCI, and the PbTe layer on the BaTe substrate, it will be possible to overlap the spectral region from 1 to 3 μm in the strained layers. At the same time, if we grow solid solutions $Pb_{1-x}Sn_xTe$ of different compositions on the BaF_2 substrate with compression of the layer, it is possible to progress along the spectrum to the region 7-11 μm. These spectral regions are important for studying the absorption of molecular gases such as CO, CO_2, SO_2, CH_4, HNO_3, N_2O and others.

11.არიფ შაშაევი, ომარ დავარაშვილი, მები ენუქაშვილი, ზაირა ახვლედიანი, ლარისა ბიჩკოვა, ვლადიმერ ზლომანოვი, **IV-VI ნახევარგამტარების აკრძალული ზონის სიგანის რეგულირება ფენების სისქის ან შემადგენლობის ცვლილებებით**

შრომაში გამოკვლეულია და გაანალიზირებულია მყარი ხსნარების PbSnTe და PbSSe და დაძაბული ფენების PbTe და PbSe კრისტალური მესრების პარამეტრები და ოპტიკური ტრანსმისიის სპექტრები. კველევის მიზანია - სპექტრების გადაფარვის საშუალების შესწავლა ორივე შემთხვევაში აკრძალული ზონის სიგანეების ცვალებადობისას. კრისტალური მესრების პარამეტრების საშუალებით დადგენილია მყარი ხსნარების შემადგენლობა და დეფორმაცია დაძაბულ ფენებში. აკრძალული ზონის სიგანე კი დადგენილია შთანთქმის კოეფიციენტების კვადრატების ექსტრაპოლიაციისას. აღმოჩნდა, რომ დაძაბული PbTe/BaFz ფენის სისქით 60 ნმ აკრძალული ზონის სიგანე ≈ 0,25 ევ და შეესაბამება მყარი ხსნარის PbSnTe ფენისა, როცა SnTe შემადგენლობა ≈ 0,11. ხოლო PbSe/KCl ფენის სისქით 66 ნმ შეთხვევაში აკრძალული ზონის სიგანე ≈ 0,45ევ და აღემატება 0,41ევ მნიშვნელობას - PbS აკრძალული ზონის სიგანეს 300 ტემპერატურაზე.

განხილული შემთხვევები მიუთითებს ფენების პოტენციურ შესაძლებლობას სპექტრის გადაფარვის 1-3 მკმ დიაპაზონში. ამავე დროს PbSnTe ფენები გაზრდილი BaF_2 საფენებზე გადაფარავენ 7-11 მკმ სპექტრის დიაპაზონს. აღნიშნული სპექტრის უბნები აქტუალურია შთანთქმის შესასწავლად შემდეგ მოლეკულებში: CO, CO_2, SO_2, CH_4, HNO_3, N_2O და სხვ.

12. А. М. Пашаев, О. И. Даварашвили., М. И. Енукашвили, З. Г. Акведиани, Л. П. Бычкова,

М. А. Дзагания, В. П. Зломанов, **СПЕЦИФИКА СПЕКТРОВ ОПТИЧЕСКОГО ПРОПУСКАНИЯ И ПОГЛОЩЕНИЯ НАНОСЛОЕВ ПОЛУПРОВОДНИКОВ $A^{IV}B^{VI}$, АРАОРГАНУЛО ЖИМИА, ФИЗИЧЕСКАЯ ХИМИЯ**

В работе при изучении и анализе спектров пропускания и поглощения нанослоев селенида свинца обнаружены новые специфические особенности. Выявлено, что пропускание в таких слоях требует заметной корректировки, чтобы разность $\alpha - \alpha_{св.н.}$ по спектру была положительной и ее значения при высоких энергиях соответствовали смещению спектра в нанослоях. Из-за неопределенности результатов спрямления квадратов коэффициентов поглощения при высоких энергиях и широкого максимума дополнительного поглощения ширина запрещенной зоны колеблется в некотором диапазоне энергий. Высокие значения дополнительною поглощения за краем основной полосы определяется малыми временами рассеяния при непрямых переходах носителей заряда между уровнем дефекта и дном разрешенной зоны или внутризонными непрямыми переходами также между дном разрешенной зоны и другой ее ветвью.

13. ᲐᲠᲘᲤ ᲤᲐᲨᲐᲔᲕᲘ, ᲝᲛᲐᲠ ᲓᲐᲕᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲔᲑᲘ ᲔᲜᲣᲫᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲖᲐᲘᲠᲐ ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘ, ᲚᲐᲠᲘᲡᲐ ᲑᲘᲩᲙᲝᲕᲐ, ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲖᲚᲝᲛᲐᲜᲝᲕᲘ **IV-VI ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲒᲐᲛᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲜᲐᲜᲝᲤᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲝᲞᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲢᲠᲐᲜᲡᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲗᲐᲜᲗᲥᲛᲘᲡ ᲡᲞᲔᲥᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲤᲔᲪᲘᲤᲘᲙᲐ**

ᲠᲔᲖᲘᲣᲛᲔ ᲢᲧᲕᲘᲐ ᲡᲔᲚᲔᲜᲘᲓᲘᲡ ᲜᲐᲜᲝᲤᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲝᲞᲢᲘᲙᲔᲠᲘ ᲢᲠᲐᲜᲡᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲗᲐᲜᲗᲥᲛᲘᲡ ᲡᲞᲔᲥᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲐᲜᲐᲚᲘᲖᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲨᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲤᲘᲣᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲔᲠᲔᲑᲐᲜᲘ. ᲒᲐᲛᲝᲘᲙᲕᲔᲗᲐ: ᲢᲠᲐᲜᲡᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲓᲝᲜᲔ ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲘ ᲤᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲞᲔᲥᲢᲠᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ ᲨᲔᲡᲐᲛᲩᲜᲔᲕ ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲘᲠᲔᲑᲐᲡ ᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ $\alpha - \alpha_{დ.გ.}$ ᲘᲧᲝᲡ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲗᲔᲚ ᲡᲞᲔᲥᲢᲠᲖᲔ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲨᲔᲔᲡᲐᲑᲐᲛᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲡᲞᲔᲥᲢᲠᲘᲡ ᲬᲐᲜᲐᲪᲕᲚᲔᲑᲐᲡ ᲜᲐᲜᲝᲤᲔᲜᲔᲑᲨᲘ. ᲨᲗᲐᲜᲗᲥᲛᲘᲡ ᲙᲝᲔᲤᲘᲪᲘᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲐᲓᲠᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲞᲝᲚᲐᲪᲘᲐ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲔᲑᲖᲔ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲨᲗᲐᲜᲗᲥᲛᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲣᲛᲘ ᲒᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲔᲜ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲔᲚᲘ ᲖᲝᲜᲘᲡ ᲡᲘᲒᲐᲜᲘᲡ ᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐᲓᲝᲑᲐᲡ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲓᲘᲐᲞᲐᲖᲝᲜᲨᲘ. ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲨᲗᲐᲜᲗᲥᲛᲘᲡ ᲙᲝᲔᲤᲘᲪᲘᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲜᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲒᲐᲑᲜᲔᲕᲘᲡ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲓᲠᲝᲘᲗ ᲓᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲢᲐᲠᲗᲐ ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲚᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲓᲔᲤᲔᲥᲢᲘᲡ ᲓᲝᲜᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲖᲝᲜᲘᲡ ᲤᲡᲙᲔᲠᲖᲔ ᲐᲜ ᲓᲐᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲖᲝᲜᲘᲡ ᲤᲡᲙᲔᲠᲘᲓᲐᲜ ᲖᲝᲜᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲜᲨᲢᲝᲔᲑᲐᲖᲔ.

14. A. M. Pashaev 1, O. I. Davarashvili 2, M. I. Enukashvili, Z. G Akhvlediani, L. P. Bychkova, V. P. Zlomanov **SPECIFICITY OF OPTICAL SPECTRA OF TRANSMISSION AND ABSORPTION OF NANOLAYERS OF $A^{IV}B^{VI}$ SEMICONDUCTORS**

In the study of transmission spectra of lead selenide nanolayers new specific features were revealed. In particular, transmission in these layers demands appreciable correction for achievement of positive $\alpha - \alpha_{fr.car}$ value and these values must correspond to tl1e movement of the spectra in nanolayers to the high energies. Because of indefinite results of straightening of squared remainder of absorption coefficients at high energies and broad maxima of additional absorption, forbidden gap width is in some interval of energies. High values of additional absorption are determined by little times of scattering at an indirect transitions between level of defect and the bottom of allowed gap or by indirect transitions in the allowed gap between different branches.

* საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები


№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებელი
5.	ახალი ტიპის, სხვადასხვა დანიშნულებისა და წარმადობის ოზონგენერატორი მუშა მოდელების (10) კონსტრუირება და მათი წარდგენა საზოგადოებისთვის (თსუ-ში გამოფენა-პრეზენტა-ციის ორგანიზება	ვასილ შველიძე	1. ჯანო ბურჯანაძე 2. მიხეილ ელიზბარაშვილი 3. გურამ ტოგონიძე 4. ზურაბ რაზმაძე
	ოზონი წარმოადგენს მაღალი ოქსიდაციის ძალის მქონე აირს, და აქედან გამომდინარე, ძლიერ მადეზინფიცირებელ საშუალებას. ანტისეპტიკური ეფექტურობით ოზონი მკვეთრად სჭარბობს. ამ მიზნით დღემდე გამოყენებულ უკლებლივ ყველა ცნობილ საშუალებას. ოზონის გამოყენების სფერო არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი რომელიმე კონკრეტული ასპექტით (მაგ. სასმელი წყლის გაწმენდა). მისი უნიკალურობა სწორედ იმით არის განპირობებული, რომ იგი მაღალი ეფექტურობით შეიძლება გამოყენებულ იქნას ადამიანთა საქმიანობის უკლებლივ ყველა სფეროში – ყველგან, სადაც საჭიროებს ადამიანთა ჯანმრთელობისთვის მავნე ბაქტერიებისა და მეტალების უვნებელყოფა! ოზონი, როგორც უნიკალური მადენზიფიცირებელი საშუალება დღეს ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი – რიგ სამრეწველო ობიექტებზე (მაგ. ლუდსახარში "ნატახტარი"; პურის ქარხანა "იფქლი"; ფარმაცევტული წარმოება"; მინერალური წყლის ქარხანა "ლიკანი"; საკვები პროდუქტების საწყობ-კომბინატი "ორხევი" და სხვა) 10 წელზე მეტია, რაც ანტისეპტიკად წარმატებით იყენებენ ოზონს – ოზონ გენერატორები ცხადია უცხოურია! საქართველოს სამედიცინო, სოფლის მეურნეობის, ასევე სამრეწველო და სხვა ობიექტების უზრუნველყოფა ადგილობრივი წარმოების ოზონგენერატორებით მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს (ეფექტს) მოუტანს ქვეყანას. აღნიშნული პრობლემის გადაჭრის მიზნით ნახევარგამტართა ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში არაერთი წელია რაც მიმდინარეობს ინტენსიური სამეცნიერო და საინჟინრო-საკონსტრუქტორო სამუშაოები. ჩვენი მკვლევარების მიერ შექმნილი იქნა ოზონგენერატორის პრინციპულად ახალი მოდელი, რომელშიც სამუშაო არის იონიზაციის მასტიმულირებელ საშუალებად, მსოფლიოში პირველად გამოყენებულ იქნა ხისტი, ულტრაფიალეტური გამოსხივება. აქ უპრიანია იმის აღნიშვნაც, რომ ოზონის დამცავი სარტყლის გარეშე, რომელიც შთანთქავს მზის ულტრაფიალეტურ გამოსხივებას, სიცოცხლე დედამიწაზე საერთოდ არ იარსებებდა! აღნიშნულმა სიახლემ მოგვცა სამუშაო არის (არე, სადაც მიმდინარეობს მღვივადი და ნაპერწკლური განმუხტვა) მნიშვნელოვანი გავრცობის შესაძლებლობა და როგორც შედეგი, ენერგიის დამატებითი ხარჯვის გარეშე ოზონის წარმადობის სამჯერ და უფრო მეტჯერ გაზრდა.		

	უცხოურ ანალოგებთან შედარებით ჩვენს მიერ შექმნილ ოზონგენერატორს, მაღალი გამოსაფიანობის გარდა, რიგი სხვა უპირატესობებიც გააჩნია – მარტივია დასამზადებლად, არ არის აუცილებელი დაცული იქნას მკაცრი მოთხოვნები: ელექტროდების გეომეტრიაზე; განმუხტვის არის სიდიდეზე; დიელექტრიკის პარამეტრებზე, როგორც ეს უცხოური სისტემებისთვის არის აუცილებელი. ჩვენი მოდელი არ საჭიროებს, ასევე გაციების აუცილებლობას და შესაბამისად, კონსტრუქციაში ძვირადღირებული უჟანგავი ფოლადის გამოყენებას. ინსტიტუტში შექმნილი ოზონგენერატორი გამოირჩევა, ასევე მაღალი საიმედობით, და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია უცხოურ ანალოგებთან მიმართებაში დაბალი თვითღირებულებით. მიმდინარე საანგარიშო წელს ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ კონსტრუირებულია ახალი ტიპის, სხვადასხვა დანიშნულების ოზონგენერატორის 10 მუშა მოდელი, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან არა მხოლოდ ოზონის წარმადობით, არამედ, ასევე მათი პრაქტიკული გამოყენების სფეროთიც. აღნიშნული ოზონგენერატორების მუშა მოდელის გამოფენა-პრეზენტაცია შედგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (თსუ მუზეუმის საგამოფენო დარბაზი) ა/წლის 10-11 დეკემბერს. გამოფენა-პრეზენტაციამ, რომელზეც მოწვეულ სტუმრებს, მათ შორის საქმიანი წრეების წარმომადგენლებს, საშუალება ჰქონდათ თავად ენახათ საცდელი მოდელები მუშაობის პროცესში და დარწმუნებულიყვნენ ექსპლუატაციის სიმარტივეში და საიმედობაში, ასევე მაღალ გამოსავლიანობაში, საზოგადოების ფართო ინტერესი დაიმსახურა. გამოფენა-პრეზენტაცია გაშუქდა ასევე პრესით, ტელევიზიით (ოზონგენერატორების ძირითადი პარამეტრები იხილე ანგარიშის დანართში). ინსტიტუტში შექმნილი ოზონგენერატორებით დაინტერესდნენ, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი მწარმოებლები. არის შეთავაზებები ასევე საქართველოს ენერგეტიკის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებიდან. ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ უცხოურ ნაწარმზე რიგ უპირატესობათა გარდა, რომელთა შესახებაც ზემოთ იყო აღნიშნული, ჩვენი მოდელები, დაბალი საბაზრო ღირებულებითაც გამოირჩევა. ამჟამად ინსტიტუტის თანამშრომელთა ერთი ჯგუფი მუშაობს ოზონგენერატორის კიდევ ერთ ახალ პერსპექტიულ მოდელზე, რომელშიც სამუშაო არის იონიზაციის დონის ასამაღლებლად, ულტრაიისფერ გამოსხივებასთან ერთად გამოყენებულია დამატებითი პლაზმური აღზნება. ამ სიახლემ მნიშვნელოვნად უნდა აამაღლოს ოზონის წარმადობა, დამატებითი ენერგიის ხარჯვის გარეშე და კიდევ უფრო მიმზიდველი გახადოს მისი მეტი ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლები.

გამოყენების სფერო: სამედიცინო- ინსტრუმენტების და მასალების სტერილიზაცია

ოზონგენერატორის ტექნიკური დახასიათება

1. ოზონის მაქსიმალური წარმადობა არა ნაკლებ -100მგ/სთ
2. სამუშაო აირი -ატმოსფერული ჰაერი
3. ოზონის მაქსიმალური კონცენტრაცია - 10მგ/მ^3
4. წნევა (ნომინალური) ოზონირების კამერაში ატმოსფერული
5. ჰაერის ხარჯი უმნიშვნელო
6. ოზონგენერატორის საერთო ენერგო ხარჯი 40 ვატი/სთ
7. კვების ნომინალური ძაბვა 220ვ
8. ელექტრო კვების სიხშირე 50 ჰერცი
9. გაცივება საჰაერო
10. გენერატორის გაბარიტული ზომები 10 სმ 15სმ 10სმ
11. გენერატორის წონა 120გ
12. მუშაობის რეჟიმი უწყვეტი



Ozone generator technical description


Field of application: Medical –sterilization of medical tools and materials.

1. Ozone production rate not less 100mg/h
2. Working air- atmosphere
3. Ozone maximal concentration -10mg/m^3
4. Normal pressure in ozone chamber atmospheric.
5. Air consumption nonsignificant
6. Total Energy consumption for Ozone generator 40watt/h
7. Normal Electric supply voltage 220 v. ac.
8. Electric supply frequency 50 Hz
9. Cooling by air.
10. Generators dimensions 10cm 15 cm 10 cm
11. Generators weight 120g.
12. Working regime continuous.

გამოყენების სფერო: წვის პროცესების გაუმჯობესება ღუმელებში და მეტალურგიულ პროცესებში

ოზონგენერატორის ტექნიკური დახასიათება

1. ოზონის მაქსიმალური წარმადობა არა ნაკლებ -40გ/სთ
2. სამუშაო აირი -ატმოსფერული ჰაერი
3. ოზონის მაქსიმალური კონცენტრაცია - 10გ/მ^3
4. წნევა (ნომინალური) ოზონირების კამერაში 2 ატმოსფერული
5. ჰაერის ხარჯი 20 მ^3/სთ
6. ოზონგენერატორის საერთო ენერგო ხარჯი 1.5 კვატ/სთ
7. კვების ნომინალური ძაბვა 380ვ
8. ელექტრო კვების სიხშირე 50 ჰერცი
9. გაცივება საჰაერო - წყალი
10. გენერატორის გაბარიტული ზომები 1 მ 0,4 მ 0,5 მ
11. გენერატორის წონა 60კგ
12. მუშაობის რეჟიმი უწყვეტი



Ozone generator technical description

Field of application: Intensification of burning process and Metallurgy. Working elements: Ozone.

1) Ozone production rate not less 40g/h
2) Working air- atmosphere
3) Ozone maximal concentration -10g/m^3
4) Normal pressure in ozone chamber 2 atmospheric.
5) Air consumption 20 m3/hr
6) Total Energy consumption for Ozone generator 1,5kwatt/h
7) Normal Electric supply voltage 220 v. ac.
8) Electric supply frequency 50 Hz
9) Cooling by air.
10) Generators dimensions 1 m 0,4 m 0,5 m
11) Generators weight 60kg
12) Working regime continuous.

გამოყენების სფერო: შენობების და ტრასპორტის მცირე გაბარიტების შიდა სივრცის სტერილიზაცია. მუშაობს აკუმულატორიდან ანუ მობილურია.

ოზონგენერატორის ტექნიკური დახასიათება

1. ოზონის მაქსიმალური წარმადობა არა ნაკლებ -150მგ/სთ
2. სამუშაო აირი -ატმოსფერული ჰაერი
3. ოზონის მაქსიმალური კონცენტრაცია - 10მგ/მ^3
4. წნევა (ნომინალური) ოზონირების კამერაში ატმოსფერული
5. ჰაერის ხარჯი უმნიშვნელო
6. ოზონგენერატორის საერთო ენერგო ხარჯი 5 ვატი/სთ
7. კვების ნომინალური ძაბვა 12ვ
8. გაცივება საჰაერო
9. გენერატორის გაბარიტული ზომები 10 სმ 15სმ 20სმ
10. გენერატორის წონა 500გ
11. მუშაობის რეჟიმი უწყვეტი



Ozone generator technical description

Field of application: Sterilization of inner spaces: buildings and cars.

1. Ozone production rate not less 150mg/h
2. Working air- atmosphere
3. Ozone maximal concentration -10mg/m^3
4. Normal pressure in ozone chamber atmospheric.
5. Air consumption nonsignificant
6. Total Energy consumption for Ozone generator 5watt/h
7. Normal Electric supply voltage 12 v. ac.
8. Cooling by air.
9. Generators dimensions 10cm 15 cm 20 cm
10. Generators weight 500g.
11. Working regime continuous.

გამოყენების სფერო: უნივერსალური, მცირეგაბარიატიანი და მცირეხარჯიანი. გამოყენებულია ვენახების საცდელ შეწამლისთვის

ოზონგენერატორის ტექნიკური დახასიათება

1. ოზონის მაქსიმალური წარმადობა არა ნაკლებ - 3გ/სთ
2. სამუშაო აირი -ატმოსფერული ჰაერი
3. ოზონის მაქსიმალური კონცენტრაცია - 10გ/მ^3
4. წნევა (ნომინალური) ოზონირების კამერაში 1-3 ბარი
5. ჰაერის ხარჯი 3მ^3/სთ
6. ოზონგენერატორის საერთო ენერგო ხარჯი 30 ვატი/სთ
7. კვების ნომინალური ძაბვა 220ვ
8. ელექტრო კვების სიხშირე 50 ჰერცი
9. ნომინალური დენი 1,5 ამპერი
10. გაცივება საჰაერო
11. გენერატორის გაბარიტული ზომები 400მმ 550მმ 250მმ
12. გენერატორის წონა 1,2კგ
13. მუშაობის რეჟიმი უწყვეტი
14. გაზის შესვლა გამოსვლა 10 მმ შტუცერებით



Ozone generator technical description

1) Ozone production rate not less 3g/h
2) Working air- atmosphere
3) Ozone maximal concentration -10g/m^3
4) Normal pressure in ozone chamber 1-3 bar.
5) Air consumption 3m^3/h.
6) Total Energy consumption for Ozone generator 30watt/h
7) Normal Electric supply voltage 220 v. ac.
8) Electric supply frequency 50 Hz
9) Cooling by air.
10) Generators dimensions 400x 550x250
11) Generators weight 1,2kg.
12) Working regime continuous.
13) Gas input and output by 10 mm connecting pipes

გამოყენების სფერო: შენობების და ტრასპორტის მცირე გაბარიტების შიდა სივრცის სტერილიზაცია

ოზონგენერატორის ტექნიკური დახასიათება

1. ოზონის მაქსიმალური წარმადობა არა ნაკლებ -200მგ/სთ
2. სამუშაო აირი -ატმოსფერული ჰაერი
3. ოზონის მაქსიმალური კონცენტრაცია - 10მგ/მ^3
4. წნევა (ნომინალური) ოზონირების კამერაში ატმოსფერული
5. ჰაერის ხარჯი უმნიშვნელო
6. ოზონგენერატორის საერთო ენერგო ხარჯი 5 ვატი/სთ
7. კვების ნომინალური ძაბვა 220ვ
8. ელექტრო კვების სიხშირე 50 ჰერცი
9. გაცივება საჰაერო
10. გენერატორის გაბარიტული ზომები 10 სმ 15სმ 20სმ
11. გენერატორის წონა 500გ
12. მუშაობის რეჟიმი უწყვეტი



Ozone generator technical description


Field of application: Sterilization of inner spaces: buildings and cars.

1. Ozone production rate not less 200mg/h
2. Working air- atmosphere
3. Ozone maximal concentration -10mg/m^3
4. Normal pressure in ozone chamber atmospheric.
5. Air consumption nonsignificant
6. Total Energy consumption for Ozone generator 5watt/h
7. Normal Electric supply voltage 220 v. ac.
8. Electric supply frequency 50 Hz
9. Cooling by air.
10. Generators dimensions 10cm 15 cm 20 cm
11. Generators weight 500g.
12. Working regime continuous.

გამოყენების სფერო: უნივერსალური, ხილბოსტანის საწყობების სტერილიზაცია შენახვისათვის

ოზონგენერატორის ტექნიკური დახასიათება

1. ოზონის მაქსიმალური წარმადობა არა ნაკლებ - 3გ/სთ
2. სამუშაო აირი -ატმოსფერული ჰაერი
3. ოზონის მაქსიმალური კონცენტრაცია - 8მგ-16 მგ/მ^3
4. წნევა (ნომინალური) ოზონირების კამერაში 1-3 ბარი
5. ჰაერის ხარჯი 3მ^3/სთ
6. ოზონგენერატორის საერთო ენერგო ხარჯი 200 ვატი/სთ
7. კვების ნომინალური ძაბვა 220ვ
8. ელექტრო კვების სიხშირე 50 ჰერცი
9. გაცივება საჰაერო
10. გენერატორის გაბარიტული ზომები 1,5მ 0,5 მ 0,3 მ
11. გენერატორის წონა 15კგ
12. მუშაობის რეჟიმი უწყვეტი



Field of application: Universal

Ozone generator technical description

1) Ozone production rate not less 3g/h
2) Working air- atmosphere
3) Ozone maximal concentration -8mg-16mg/m^3
4) Normal pressure in ozone chamber 1-3 bar.
5) Air consumption 3m^3/h.
6) Total Energy consumption for Ozone generator 200watt/h
7) Normal Electric supply voltage 220 v. ac.
8) Electric supply frequency 50 Hz
9) Cooling by air.
10) Generators dimensions 1,5 0,5 0,3 m
11) Generators weight 1,2kg.
12) Working regime continuous.

არაორგანულ-ორგანული ჰიბრიდული ნაერთების და არატრადიციული მასალების ს/კ ინსტიტუტი.

*** სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი:**
ნოდარ ლეკიშვილი, პროფესორი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუსი

*** სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:**
- მარინა გახუტიშვილი, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ქიმიის მეცნ. კანდიდატი;
- ხათუნა ბარბაქაძე, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ქიმიის აკადემიური დოქტორი;
- მაია რუსია, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ქიმიის მეცნ. კანდიდატი;
- ლილი არაბული, განყოფილების გამგე, ქიმიის მეცნ. კანდიდატი;
- მზია კეჟერაშვილი, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ქიმიის მეცნ. კანდიდატი;
- ელიზავეტა ცხაკაია, დოქტორანტი, მეცნიერ თანამშრომელი;
- რუსუდან ხოსიტაშვილი, დოქტორანტი, მეცნიერ თანამშრომელი.

* საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2014 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	---------	----------	---------
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			

2	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები

* სახელმწიფო გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები


1	ახალგაზრდა მეცნიერთა საზღვარგარეთ სტაჟირების გრანტი, ლუნდის უნივერსიტეტი, შვედეთი) ”ბიოაქტიური ᲓᲞპა-პერდიდომიმეტიკების ახალი სინთეზი L-ᲓᲞპა-ს ჟანგვითი ფუნქციონალიზაციით.	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, 2014 წელი	ლილი არაბული, ქიმიის მეცნ. კანდ., ს/კ ინსტიტუტის განყოფილების გამგე (სამეცნიერო მიმართულების ხელ-ლი, ქ.მ.დ., პროფ. ნ. ლეკიშვილი)	ლილი არაბული, ქიმიის მეცნ. კანდიდატი, ს/კ ინსტიტუტის განყოფილების გამგე

დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

მიზანი: პეპტიდომიმეტიკები პატარა პროტეინის მსგავსი ჯაჭვებია, რომლებიც შემუშავებულია პეპტიდის სტრუქტურასთან მიმსგავსებისთვის. ისინი, როგორც წესი, მიიღება ამოსავალი პეპტიდისგან ან პეპტიდის სტრუქტურის მსგავსი სისტემების დიზაინით. მათი ქიმიური სტრუქტურა შემუშავებულია მოლეკულური თვისებების, როგორიცაა მდგრადობა ან ბიოაქტიურობა, რეგულირების გათვალისწინებით. ამ მიმართულებას არსებული პეპტიდებიდან სამკურნალო პრეპარატების მსგავსი ნაერთების განვითარებაში გარკვეული წვლილი შეტანის პოტენციალი გააჩნია. აღნიშნული მოდიფიკაციები მოიცავენ პეპტიდის ბუნებრივ ცვლილებებს (მაგალითად, მათი სტრუქტურის მთავარი ფუძის მოდიფიკაცია მათ სტრუქტურაში არაბუნებრივი ამინომჟავების შეყვანის გზით). მაგალითად, ანტიკანცეროგენული პეპტიდომიმეტიკები შეიძლება შეუკავშირდნენ მიზნობრივ პროტეინებს, რათა შემცირდეს სიმსივნური უჯრედები დაპროგრამებული უჯრედების დათრგუნვის გზით, რასაც აპოპტოზისი ეწოდება, ურთიერთქმედებების სიმულაციის (მიბაძვის) მეშვეობით, რაც ააქტიურებს სპეციფიურ უჯრედებში აპოპტოზისის გზას. ზემოაღნიშნული გვიჩვენებს, რომ პეპტიდომიმეტიკებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ სხვადასხვა ტიპის სიმსივნის მკურნალობაში. ამას გარდა, აქტუალურია ბუნებრივის მსგავსი ბიომოლეკულების და მათი უფრო მდგრადი ნაწარმების (როგორიცაა პეპტიდომიმეტიკები) სინთეზი და სკრინინგი, რადგან სამკურნალო პრეპარატების აღმოჩენის მეთოდების პროგრესი სამედიცინო ქიმიის სპეციალისტებს საშუალებას აძლევს, დააპროექტონ და განავითარონ ახალი სამკურნალო მოლეკულები, რომელნიც შეიძლება ეფექტურად იქნან გამოყენებული ადამიანთა სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ. ლიტერატურაში აღწერილია პეპტიდების შემცველი თიროზინის შერჩევითი დაჟანგვა ფერმენტის, თიროზინაზის და IBX (ქიმიური დაჟანგვა) გამოყენებით. აღნიშნული სინთეზური მიდგომა წარმატებით გამოიყენება ᲓᲞპა-სა და ᲓᲞპ-ის შემცველი პეპტიდების მისაღებად. ამ მიმართულებაში ახალ სტრატეგიას წარმოადგენს ᲓᲞპა-პეპტიდების ამინომჟავებთან ან მცირე პეპტიდურ რიგებთან ჯვარედინად დაკავშირება, რაც გულისხმობს ერთდროულად სუბსტრატების (მონოფენოლების) ჟანგვით გარდაქმნას კატეკოლამდე და არომატული ბირთვის ორთო-მდგომარეობაში ამინომჟავების/მცირე პეპტიდების შეუღლება. ეს სინთეზური სიახლე დამატებითი საფეხურების გარეშე ჯვარედინად დაკავშირებული ᲓᲞპა-პეპტიდების პირდაპირი მიღების საშუალებას იძლევა. აღნიშნულმა მიდგომამ ჩვენს მიერ შემოთავაზებული ბიოორგანული სისტემებისთვის პირველი სინთეზური მეთოდოლოგიის როლი შეასრულა.


ქვემოთ მოტანილია IBX-ს გამოყენებით ᲓᲞპა ქინინის შუალედური რგოლების ამინომჟავებთან შეუღლება ჟანგბადის ნუკლეოფილური შეტევის მეშვეობით. პირველ რიგში, ჩვენ მიერ გაანალიზებულ იქნა N-Boc-Tyr-OMe **1**-ის რეაქციისუნარიანობა მთელ რიგ N-დაცულ ამინომჟავებთან, მათ შორის გლიცინი (N-Boc-

Gly, **2**), ალანინი (N-Boc-Ala, **3**), ვალინი (N-Boc-Val, **4**), ლეიცინი (N-Boc-Leu, **5**), ფენილალანინი (N-Boc-Phe, **6**), პროლინი (N-Boc-Pro, **7**), ტრიფტოფანი (N-Boc-Trp, **8**) და მეთიონინი (N-Boc-Met, **9**) (სქემა 2). 1.5 მლ ტეტრაჰიდროფურანში გახსნილი N-Boc-Tyr-OMe **1** (0.1 მოლი) დამუშავებულ იქნა ჭარბი შესაბამისი ამინომჟავით (1. 0 მოლი, ნაერთები **2-9**) და IBX-ით (0.3 მოლი) სხვადასხვა ტემპერატურაზე (25°C-45°C) 72 საათის განმავლობაში. რეაქციის პირობებისგან დამოკიდებულებით მიიღება DOPA-ს ნაწარმები **10-17** სხვადასხვა გამოსავლიანობით.




R = H (**2**), CH_3 (**3**), -CH(CH_3)-CH_3 (**4**), -CH_2-CH(CH_3)-CH_3 (**5**), -CH_2-C_6H_5 (**6**), -CH_2-CH_2-CH_2- (**7**), -CH_2-C(CH)-NH-C_6H_4 (**8**), -CH_2-CH_2-S-CH_3 (**9**)


სქემა 1. ამინომჟავებთან ჟანგბადის ატომის მეშვეობით ჯვარედინად დაკავშირებული DOPA




BTO-Boc_Gly (**10**)




BTO-Boc_Ala (**11**)




BTO-Boc_Pro (**12**)




BTO- Boc_Trp (**13**)




BTO-Boc_Val (**14**)



BTO-Boc_Phe (**15**)



BTO-Boc_Leu (**16**)



BTO-Boc_Met (**17**)

სქემა 2. ამინომჟავებთან შეუღლებული N-დაცული DOPA-ს ნაწარმების სტრუქტურები

კვლევის შემდგომ ეტაპზე გამოკვლეულ იქნება დასინთეზებული ჯვარედინად დაკავშირებული დოპა-ს ახალი ნაწარმების ბიოაქტიურობა ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებებისა და სხვადასხვა ტიპის სიმსივნეებთან მიმართებაში.

* პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნ. ლეკიშვილი, მ. რუსია, ხ. ბარბაქაძე, ლ. არაბული, რუს. გიგაური, ი. დიდბარიძე, მ. სამხარაძე,	„დარიშხანის და სტიბიუმის ავანგარდული ნაერთები და მასალები სპეციფიკური თვისებებით“ (ინგლ. ენაზე)	თბილისი, „უნივერსალი“ 2014	91

ანოტაცია

მონოგრაფიაში, რომელიც ეძღვნება დარიშხანის ქიმიის ცნობილი ქართველი მკვლევარის, პროფესორ რომან გიგაურის ხსოვნას, აღწერილია მისი მოწაფეების და პარტნიორების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები, კერძოდ, დარიშხანის და სტიბიუმის ბუნებრივი და მეორადი ნედლეულის ტრანსფორმაციით მიღებული ნაერთების ბაზაზე დასინთეზებული და შესწავლილი ახალი ნაერთები მნიშვნელოვანი სპეციფიკური თვისებებით. შემუშავებულია და განხილულია ხელმისაწვდომი მულტიფუნქციური (ანტიმიკრობული/ფუნგიციდური, შუქ-, თერმო- და ტენმედეგი) კომპოზიტები და სხვადასხვა სინთეზური და ბუნებრივი მასალების და ნაკეთობების არაკონტროლირებადი ბიოდეგრადაციისგან დამცავი საფრები; მაკონსერვირებელი, მალარიის საწინააღმდეგო პოტენციური და ცხოველთა პარაზიტების საწინააღმდეგო საშუალებები (ანტჰელმინტები) ადამიანის, შინაური ცხოველების და კულტურული მემკვიდრეობის (სამუზეუმო ექსპონატები) დასაცავად.

მონოგრაფიაში განხილულია შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს დარიშხანის წარმოების ბუნებრივი და მეორადი რესურსების ტრანსფორმაციის შესაძლებლობა და მათი გამოყენების გზების ძიება;
2. ბიოაქტიურობის და სხვა ქიმიურ-ბიოლოგიური და მათემატიკური მეთოდების გამოყენება შესაბამისი თვისებების შესწავლისა და პროგნოზირებისთვის;
3. ანტიბიოკოროზიული დამცავი საფრები სტიბიუმის(III) მაკროდისპერსიული ოქსიდების და ახალი ბიოაქტიური არააქროლადი კოორდინაციული ნაერთების ბაზაზე ანტიბიოკოროზიული კომპოზიტების და მასალების შემუშავება და ტესტირება;
4. ზოგიერთი მეოთხეული არსინები ვერცხლისწყლის(II) ჰალოგენიდების ბაზაზე; ვერცხლისწყლის(II) ნიტრატის კოორდინაციული ნაერთები ტრიარილ- და ალკილდიარილდარიშხანოქსიდებთან;
5. ზოგიერთი d-მეტალის ტეტრათიოარსენატების(V) პირიდინთან კოორდინაციული ნაერთები;
6. $[(i\text{-}pr)_2(et)_4as_2(ph)][co(ncs)_4]$ კომპლექსების სინთეზი და შესწავლა “X-ray” დიფრაქ-

ციის და ინფრაწითელი სპექტროსკოპიის მეთოდებით;
7. d-მეტალების და ზოგიერთი აზოტშემცველი ლიგანდების სტიბიუმის ბიოაქტიური კომპლექსნაერთები: სინთეზი, აღნაგობა და თვისებები;
8. d- და f-მეტალების კოორდინაციული ნაერთები ჰიდროქსი- და ამინოჯგუფების შემცველი არომატული ლიგანდების ბაზაზე;
9. არსენობეტაინები – პოტენციური ბიდენტატური ლიგანდები და მეტალ(II)-დარიშხანის ჰიბრიდული ნაერთების კრისტალური სტრუქტურის ოპტიმიზაცია;
10. დარიშხანშემცველი ჰიბრიდული ბორატები დარიშხანის წარმოების მეორადი ნედლეულის ბაზაზე.

მონოგრაფიაში ციტირებულია 164 ნაშრომი.

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნოდარ ლეკიშვილი	საყოფაცხოვრებო დანიშნულების პროდუქტები და მასალები	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ელექტრონული ვერსია ლინკი: http://e-learning.tsu.ge/course/view.php?id=917	191

ანოტაცია

ტექნიკის და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების თანამედროვე დონემ დღის წესრიგში დააყენა საყოფაცხოვრებო დანიშნულების პროდუქტებისა და მასალებისადმი სრულიად ახლებური მიდგომა. როგორც პერიოდულ სამეცნიერო ლიტერატურაში, ისე სარეკლამო სივრცეში და ინტერნეტ-ქსელებში შემოიჭრა შესაბამისი დარგის თვისებრივად სრულიად ახალი, უკანასკნელი პერიოდის ტექნიკური და ტექნოლოგიური შედეგების ამსახველი ინფორმაციის მძლავრი ნაკადი. მნიშვნელოვნად გაფართოვდა საყოფაცხოვრებო პრაქტიკაში გამოყენებული სხვადასხვა პროდუქტების და მასალების ასორტიმენტი, გაუმჯობესდა მათი ხარისხობრივი და საექსპლუატაციო მახასიათებლები. ჩამოყალიბდა მათი წარმოებისა და ტესტირებისადმი თვისობრივად ახალი მიდგომები, რამაც დღის წესრიგში დააყენა სათანადო ცოდნით და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი ახალგაზრდა კადრების აღზრდის თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის შექმნის საკითხი. აუცილებელი გახდა არა მარტო ყოფა-ცხოვრებასა და სხვადასხვა სფეროში გამოყენებული, თანამედროვე, მნიშვნელოვანი პროდუქტების, მასალების ქიმიისა და ტექნოლოგიის მცოდნე სპეციალისტების მომზადება, არამედ ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც მათი ხარისხობრივი მახასიათებლების განსაზღვრისა და ტესტირების უნარი ექნებათ. ამან ბუნებრივია, ძირეულად შეიცვალა თვით საყოფაცხოვრებო ქიმიის სწავლებისადმი წაყენებული მოთხოვნები. აუცილებელი გახდა მშობლიურ ენაზე თანამედროვე საუნივერსიტეტო განათლებისადმი შესაბამისი სახელმძღვანე-

ლოს შექმნა.

დღეისათვის ქართულ ენაზე ფაქტიურად არ არსებობს ისეთი სახელმძღვანელო, რომელიც ჯეროვანად ასახავდა იმ პროდუქტების და მასალების ქიმიის საფუძვლებს და წარმოების ძირითად პრინციპებს, რითაც გაჯერებულია მსოფლიოს და მათ შორის, საქართველოს სამომხმარებლო ბაზარი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ძალზე სასარგებლოდ მიგვაჩნია შესაბამისი სამეცნიერო და აკადემიური დონის სახელმძღვანელოს ქართულ ენაზე შექმნის მცდელობა, რომელიც წლების განმავლობაში ჩვენ მიერ წაკითხული ლექციების კურსს ეფუძნება და ადრე გამოცემული ჩვენი სახელმძღვანელოს ძირეულად გადამუშავებულ ვერსიას წარმოადგენს იმ სასწავლო დატვირთვის და პროგრამის გათვალისწინებით, რაც ქიმიის და მონათესავე სპეციალობების სტუდენტებისთვის არის განსაზღვრული.

სახელმძღვანელოში მეტ-ნაკლებად სრულყოფილად არის განხილული ყველა ის საყოფაცხოვრებო დანიშნულების პროდუქტი და მასალა, რომელთაც ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში შედარებით ფართო გამოყენება აქვს: ხელოვნური და სინთეზური გამრეცხი და მათეთრებელი საშუალებები, პოლიტურები, ჩვეულებრივი და სპეციალური დანიშნულების წებოები (ელექტროგამტარი, ოპტიკური, სამედიცინო), წებო-ცემენტები, ლაქ-საღებავები, ემულსიური და წებო-საღებავები, ჰიდროფობური კომპაუნდები, ჰერმეტიკები, კოსმეტიკური საშუალებები და სხვ. მოცემულია მათი ტიპური რეცეპტურები, ექსპლუატაციის პირობები და გამოყენების სფეროები. სახელმძღვანელოში შეტანილია მოკლე წარმოდგენები ახალი, სპეციფიკური თვისებების მქონე არატრადიციული ფუნქციური დამცავი საფრების, აგრეთვე კოსმეტიკის მზარდი და პერსპექტიული დარგის – ფიტოკოსმეტიკის და ფიტოკოსმეტიკური საშუალებების შესახებ.

სახელმძღვანელოს შინაარსი:

შესავალი

პირველი თავი. ხელოვნური გამრეცხი საშუალებები.

1.1. საპონი. ცხიმების რაოდენობრივი დახასიათება (იოდის რიცხვი, მჟავური რიცხვი, შესაპნის ხარისხი, ტიტრი);

1.2. საპნის წარმოების ძირითადი პრინციპები და ხერხები;

1.2.1. საპნის ცივი ხარშვის ხერხი;

1.2.2. საპნის ნახევრადცხელი ხარშვის ხერხი;

1.2.3. საპნის ცხელი ხარშვის ხერხი;

1.2.4. საპნის ხარშვის უწყვეტი პროცესი;

1.3. საპნის ძირითადი ტიპები (სამარკო და სამომხმარებლო სახეები);

მეორე თავი. სინთეზური გამრეცხი საშუალებები (დეტერგენტები).

2.1. სინთეზური დეტერგენტების (ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების); კლასიფიკაცია;

2.2. არაიონოგენური დეტერგენტები;

2.3. ანიონაქტიური დეტერგენტები;

2.3.1. ალკილსულფატები; ალკილსულფონატები და ალკილარილსულფონატები;

2.3.2. სულფატირებული და სულფირებული ეთერები;

2.3.3. აზოტშემცველი ანიონური ნივთიერებები;

2.4. კატიონური დეტერგენტები;

2.5. ამფოტერული სინთეზური დეტერგენტები (ამფოლიტები);

2.6. კომბინირებული ტუალეტის საპონი;
2.7. დეტერგენტების ფორმები და მათი გამოყენება;
2.8. სინთეზური გამრეცხი საშუალებების წარმოების ზოგადი პრინციპები;
2.9. გამრეცხი ფხვნილების წარმოების მეთოდები;
2.10. თხევადი დეტერგენტები;
2.11. სინთეზური ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების შედარება (დეტერგენტების) საპნებთან;

მესამე თავი. სინთეზური მათეთრებლები.

3.1. მათეთრებელი საშუალებების კლასიფიკაცია;
3.1.1. აქტიური ქლორის შემცველი კლასიკური თხევადი მათეთრებელი საშუალებები;
3.1.2. აქტიური ქლორის შემცველი ფხვნილისებრი მათეთრებელი ნივთიერებები;
3.1.3. დამჟანგავი მათეთრებელი საშუალებები;
3.1.4. დამჟანგავ მათეთრებლებში აქტიური ჟანგბადის და აქტიური ქლორის განსაზღვრა;
3.2. აღმდგენი მათეთრებელი საშუალებები;
3.3. ოპტიკური მათეთრებლები;

მეოთხე თავი. პოლიტურები.

4.1. პოლიტურების კლასიფიკაცია და ბზინვარების მექანიზმი;
4.2. პოლიტურებში გამოყენებული გამოსავალი ნივთიერებები (ნედლეული და ქიმიკატები პოლიტურებისათვის);
4.2.1. ბუნებრივი ცვილები;
4.2.2. "უაიტ სპირიტი" – ეფექტური გამხსნელი პოლიტურებისთვის;
4.2.3. სინთეზური ცვილები. ფიშერ-ტროპშის ცვილები;
4.3. ცვილების ბაზაზე დამზადებული პოლიტურების სასაქონლო ფორმები;
4.3.1. ცვილების და გამხსნელების ბაზაზე დამზადებული პასტები;
4.3.2. ცვილის წყლიან-ემულსიური პოლიტურები;
4.3.3. ცვლის, წყლის და გამხსნელის ბაზაზე დამზადებული მდგრადი მულსიები;
4.3.4. ცვილის, წყლის და გამხსნელის ბაზაზე დამზადებული სწრაფადშლადი ემულსიები (პოლიტურები;
4.3.5. სინთეზური პოლიმერული ფისები;
4.3.6. პოლიმერების წყლიანი ემულსიების გამოყენება იატაკის პოლირებისათვის (მასტიკები) ;
4.3.7. ფეხსაცმლის გასაპრიალებელი კრემები და ემულსიური ნარევები;

მეხუთე თავი. წებოები, შემკრავი (მჭიდი) ნივთიერებები და ჰერმეტიკები.

5.1. ზოგადი დახასიათება და კლასიფიკაცია;
5.2. მცენარეული წებოები;
5.3. ცხოველური წებოები;
5.4. არაორგანული შემკრავი (მჭიდი) ნივთიერებები (წებო-ცემენტები);
5.4.1. სილიკატური წებოები;

5.4.2. არაორგანული ცემენტები (მჭიდი მასალები);
5.5. რეზინული წებოები;
5.5.1. კაუჩუკების ბაზაზე დამზადებული წებოები;
5.6. თერმოპლასტიური წებოები;
5.6.1. პოლივინილაცეტატური წებოები;
5.6.2. წებოები პოლივინილის სპირტის ბაზაზე;
5.6.3. წებოები პოლივინილაცეტალების ბაზაზე;
55.6.4. კარბინოლური წებოები;
6.6.5. პოლიაკრილური წებოები;
5.7. თერმორეაქტიული წებოები;
5.7.1. ეპოქსიდური წებოები;
5.7.2. პოლიურეთანული წებოები;

მეექვსე თავი. ჰერმეტიკები.

6.1. ჰერმეტიკები. ძირითადი ცნებები ჰერმეტიკებზე. ჰერმეტიკების კლასიფიკაცია;
6.2. არაშრობადი ჰერმეტიკები;
6.3. ვულკანიზებადი ჰერმეტიკები;
6.4. ჰერმეტიკები სილოქსანური კაუჩუკების ბაზაზე;
6.5. თხევადნახშირწყალბადოვანი ჰერმეტიკები;
6.6. შრობადი ჰერმეტიკები;
6.7. ელასტიური ვულკანიზებადი და შრობადი ჰერმეტიკების ტესტირების მეთოდები;
6.8. ჰერმეტიკების ნიმუშების დამზადება სიმტკიცის შესამოწმებლად;
6.9. არაშრობადი ჰერმეტიკების გამოცდის მეთოდები;

მეშვიდე თავი. ლაქ-საღებავები და წებო-საღებავები.

7.1. ზოგადი დახასიათება და შედგენილობა;
7.1.1. პიგმენტები;
7.1.2. აფსკწარმომქმნელი ნივთიერებები;
7.2. წებო-საღებავები;
7.3. ემულსიური საღებავები;
7.4. ლითოფონის ქიმია და წარმოების ძირითადი პრინციპები;
7.5. ანტიბიოკოროზიული და ანტიკოროზიული დამცავი საფრები - ყოფაცხოვრებაში გამოყენებადი პერსპექტიული არატრადიიული ფუნქციური მასალები;

მერვე თავი. კოსმეტიკური საშუალებები.

8.1. ნედლეული კოსმეტიკური საშუალებებისათვის;
8.2. სურნელოვანი ნივთიერებანი;
8.3. გამხსნელები;
8.4. კოსმეტიკური საღებავები და პიგმენტები;
8.5. კოსმეტიკური საშუალებები;
8.6. სახის კრემები და ნიღბები;
8.7. დეკორატიული კოსმეტიკა;
8.8. ფრჩხილების მოვლის კოსმეტიკური საშუალებანი;

8.9. დეზოდორანტები, ლოსიონები, ანტიპერსიპანტები და ტანის მოვლის სხვა საშუალებები;;
8.10. თმების კოსმეტიკა და ჰიგიენა;
8.11. მოკლე წარმოდგენები ფიტოკოსმეტიკურ საშუალებებზე;
გამოყენებული ლიტერატურა – ციტირებულია 90 ლიტ. წყარო.

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2	---------	---------	----------	----------
ანოტაციები				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომ-ცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2	.....	.....	.....	.....	.....
ანოტაციები					

ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები
(დამოუკიდებელი თავი მონოგრაფიაში)

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2		.		3
ანოტაციები				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	----------	---------	---------	

ანოტაციები

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2	----------	----------	----------	----------
ანოტაციები				

სტატიები:

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომ-ცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Kh. Barbakadze G. Lekishvili N. Lekishvili	"Novel ferrocene derivatives with polycyclic spatial groups: synthe-sis, study and application" Asian Journal of Chemistry	2014, 26, **5,** 1315-1317 (With IF)	India, Sahibabad, "Agarwal Publ."	3 (ორ სვეტად)
2	K. Barbakadze, W. Brostow, N. Hnatchuk, Z. Hoyt and N. Lekishvili	"Tribology of Novel Antibiocorrosion Coatings" "Materials Research Innovations"	2014,(Accepted for publ.) 24/10 (With IF)	W. S. Maney & Son Ltd. 2014, USA	6 (ორ სვეტად)
3	N. Lekishvili, Kh. Barbakadze, D. Zurabishvili, G. Lekishvili, W. Brostow, Kh. Abzaldinov, *e.a.*	"Bioactive nitrogen-containing compounds with spatial carbo-cyclic groups: synthesis, modeling of physical Properties and use for creation of inorganic-organic hyb-rid materials with specific properties" Bulletin of Kazan Technological University (Вестник Казанского технологического университета)	Vol.17, № 8 (2014)	Kazan (RF), Technologi-cal University Press.	8 (ორ სვეტად)
4	L. Arabuli, L. Silaghi-Dumitrescu, K. Giorgadze, N. Lekishvili	Arsenobetaines – potential biden-tate ligands and optimized crystal structure of new metal(II)-arsenic hybrid compounds. Oxidation Communication	2014, 37, 1, 301-313; (With IF)	Sofia, Bul-gary, Scien-tific Bulga rian Commun. ISSN 0209 4541; www. scibulkom.net	12
ანოტაციები I. ხ. ბარბაქაძე, გ. ლეკიშვილი, ნ. ლეკიშვილი, "ფეროცენის ახალი ნაწარმები სივრცითი პოლიციკლური ჯგუფებით: სინთეზი, შესწავლა და გამოყენება"					

სტატიაში განხილულია მეტალორგანული ფრაგმენტების შემცველი, სპეციფიკური თვისებების მქონე სხვადასხვა ჰეტერომეტალური ნაერთების სინთეზი და თვისებები. საწყის ნივთიერებებად გამოყენებულია გარდამავალი მეტალების π-კომპლექსების საინტერესო წარმომადგენლები, – მეტალოცენები, კერძოდ, ფეროცენი და მისი ნაწარმები, რომლებიც სპეციფიკური აღნაგობის და თვისებების გამო მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მეტალშემცველი ორგანული ნაერთების ქიმიაში და წარმოადგენენ მნიშვნელოვან საბაზისო ნაერთებს ბიოაქტიური ნაერთების განვითარებაში. დასინთეზებული და შესწავლილია ახალი ბიოაქტიური ჰიბრიდული ნაერთები, რომლებიც მოლეკულებში ერთდროულად შეიცავენ სივრცით ნახშირწყალბადურ პოლიციკლურ ფრაგმენტებს, ფეროცენის ჯგუფებს და დგარდამავალ მეტალებს. ნახევრადემპირული AM1 კვანტურ-ქიმიური მეთოდით ჩატარებულია შერჩეული საწყისი ლიგანდის ძირითადი (ფუნქციური ჯგუფების შემცველი) ფრაგმენტის ელექტრონული სტრუქტურის და კომპლექსწარმოქმნის უნარის კვლევა. დადგენილია, რომ დასინთეზებული ლიგანდის მოლეკულა შეიცავს რა ორ ელექტრონოდონორულ სარეაქციო ცენტრს – ჟანგბადის და აზოტის ატომებს, წარმოადგენს ბიდენტატურ ლიგანდს, რომელსაც პოტენციურად შეუძლია გარდამავალ მეტალებთან (Co, Ni, Fe) წარმოქნას ხუთწევრიანი რგოლის შემცველი კოორდინაციული ნაერთი.

მიღებული ნაერთების შედგენილობა და აღნაგობა დადგენილია კვლევის ფიზიკური მეთოდებით (იწ სპექტრული და თერმული ანალიზი). მათი ბიოაქტიურობის შესწავლით დადგენილია, რომ საწყისი ლიგანდი ბაქტერიციდულ თვისებებს შესაბამის კოორდინაციულ ნაერთებთან შედარებით უფრო სუსტად ავლენს. წინასწარი გამოკვლევებით დადგენილია მიღებული ბიოაქტიური ნაერთების გამოყენების სფეროები, კერძოდ, ანტიმიკრობული კომპოზიტების და მასალების დასამზადებლად.

II. ხ. ბარბაქაძე, ვ. ბროსტოუ, ნ. ჰნატჩუკ, ზ. ჰოიტ, ნ. ლეკიშვილი

“ახალი ანტიბიოკოროზიული საფრების ტრიბოლოგია”

ანოტაცია

მიღებული და შესწავლილია ახალი არაორგანულ-ორგანული ჰიბრიდული კომპოზიტები და ანტიბიოკოროზიული საფრები მათ ბაზაზე. პოლიმერულ მატრიცის – 4,4-დიმეთილმეთანედიიზოციანატის და ოლიგობუტილენგლიკოლადიპინატის ურთიერთქმედებით მიღებული პოლიურეთანი და სამრეწველო პოლიეპოქსიდი ED-20 სილიციუმორგანულ პოლიფუნქციურ მოდიფიკატორებთან (დანამატებთან, 3-10 %) და ფეროცენ-პოლიკარბოციკლის ერთდროულად შემცველ (3-5 %) კობალტის და ნიკელის ბიოაქტიურ კოორდინაციულ ნაერთებთან კომპოზიციაში.

შესწავლილ იქნა მიღებული კომპოზიტების და ანტიბიოკოროზიული საფრების თერმოფიზიკური, მექანიკური (ტრიბოლოგიური) და საექსპლუატაციო თვისებები. დადგენილ იქნა ამ თვისებების დამოკიდებულება მიღებული კომპოზიტების შედგენილობაზე, მატრიცის პოლიმერის ტიპზე, სილიციუმორგანული ოლიგომერის მ.წ.-ზე და კოორდინაციული ნაერთის აღნაგობაზე. დიფერენციული მასკანირებელი კალორიმეტრიის (DSC) მეთოდით დადგენილ იქნა პოლიმერული მატრიცის (მოდიფიკატორთან ერთად და მის გარეშე) და მიღებული ანტიმიკრობული საფრის ფაზური გადასვლების ტემპერატურები. დადგენილ იქნა, რომ მიღებული საფრების გარბილების ტემპერატურა (50°C-ზე მეტი) მნიშვნელოვნად აღემატება ოთახის ტემპერატურას, რასაც გადამწვეტი მნიშვნელობა აქვს სამუზეუმო ექსპონატების დამცავ საფრებად მათი გამოყენებისას. ასევე უმჯობესდება სილიციუმორგანული ოლიგომერებით მოდიფიცირებული კომპოზიტების მდგრადობა ტენის (0.03 %, სამი თვე) და ხილული

სინათლის მოქმედების, აგრეთვე თერმული დაბერებისადმი, რაც უზრუნველყოფს მიღებული ანტიბიოკოროზიული საფრების ხანგამძლეობის გაზრდასა და იერ-სახის შენარჩუნებას მათი ექსპლუატაციისას.

III. ნ. ლეკიშვილი, ხ. ბარბაქაძე, გ. ლეკიშვილი, ვ. ბროსტოუ, ხ. აბჟალდინოვი და სხვ.
"ბიოაქტიური აზოტშემცველი ნაერთები სივრცითი კარბოციკლური ჯგუფებით: სინთეზი, ფიზიკური თვისებების მოდელირება და გამოყენება სპეციფიკური თვისებების მქონე არაორგანულ-ორგანული ჰიბრიდული მასალების მისაღებად"

ანოტაცია

სტატიაში აღწერილია ჩვენ მიერ ადრე დასინთეზებული პოლიციკლური ბიოაქტიური ნაერთების ფიზიკური თვისებების მოდელირება. მათ უამრავ ხელმისაწვდომ მოლეკულურ დესკრიპტორს შორის შერჩეულ იქნა განაწილების რადიალური ფუნქციები (RDF), კრისტალური სტრუქტურის კოდები (MoRSE), WHIM, GETAWAY და ტრადიციული ტოპოლოგიური ინდექსები. მოდელების ასაგებად გამოყენებულ იქნა ნაერთების ფიზიკური მახასიათებლები ($t_{ლღ.}$ და R_f).

მონაცემთა კრებსის გარემდებარეთა არსებობა შესწავლილ იქნა მთავარი კომპონენტების ანალიზის გამოყენებით (PCA). მოლეკულური მოდელების ასაგებად გამოყენებულ იქნა MDL Isis Draw 2.5.SP4. შემდეგ მოდელებს ვაერთიანებდით მონაცემთა ბაზაში diSD 5.02-ის გამოყენებით. მონაცემთა ბაზის ტექსტური ფორმატი SDF. მოლეკულური დესკრიპტორების გასათვლელად გამოვიყენეთ VCC-Lab e-Dragon, ხოლო PCA და PLS მოდელების ასაგებად – სტატისტიკა 6.0. დადგენილი იქნა, რომ საკვლევი ნივთიერებების მნიშვნელოვან ნაწილს აქვს მკვეთრად გამოხატული ექსპერიმენტული სიდიდე (რანდიჩის ტიპის ინვარიანტები), ამიტომ ყველა მიღებული ნაერთი შენახულ იქნა შესასწავლ მონაცემთა ბაზაში. საყურადღებოა, რომ რანდიჩის ტიპის ინვარიანტები ცხადად აღწერენ ნივთიერების ზოგიერთ კლასტერს. სტატიაში ნაჩვენებია, რომ საუკეთესო მოდელები მიღებულ იქნა GETAWAY დესკრიპტორების დახმარებით. მოდელირების განსახორციელებლად გამოყენებულია ფარული სტრუქტურის პროექტირება (ნაწილობრივი უმცირესი კვადრატების მეთოდი, PLS), მოდელების ხარისხის დასადგენად კი - ჯვარედინი ვალიდაცია. მოდელების ასაგებად გამოყენებულ იქნა ნაერთების ფიზიკური მახასიათებლები ($t_{ლღ.}$ და R_f).

დადგენილ იქნა მიღებულ ნაერთთა სტრუქტურის შესაბამის დესკრიპტორებს და ექსპერიმენტულად გაზომილ მახასიათებლებს შორის კორელაციური დამოკიდებულება ($r = 92$)

IV. ლ. არაბული, ლ. სილაგჰი-დუმიტრესკუ, ქ. გიორგაძე, ნ. ლეკიშვილი
"არსენო-ბეტაინები – პოტენციური ლიგანდები და ახალი მეტალი(II)-დარიშხანის ოპტიმიზირებული კრისტალური სტრუქტურები"

ანოტაცია

დასინთეზებული და შესწავლილია ახალი სპეციფიკური ანტიბაქტერიული აქტიურობის მქონე ანტიმიკრობული სისტემების შესაქმნელად გამიზნული დაბალი ტოქსიკურობის, მაგრამ ცხადად გამოხატული სელექტიური მოქმედების ნაერთები – არსენობეტაინები, ამავე დროს როგორც პოტენციური ლიგანდები, ზოგიერთ მეტალთა (მაგნიუმი, კალციუმი, სპილენძი) კოორდინაციული ნაერთების მისაღებად. ჩატარებულია მიღებული ნაერთების რენტგენოსტრუქტურული, ეპრ- და უი-, იწ- და

მას-სპექტროსკოპიული გამოკვლევები.

* სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ხ. ბარბაქაძე ნ. ლეკიშვილი	"ახალი პირდაპირი მოქმედების მულტი-ფუნქციური დამცავი საფრების შექმნა და ტესტირება"	20 იანვარი, 2014, თსუ, თბილისი

მოხსენების ანოტაცია

მრეწველობის და ტექნიკის ინტენსიურმა განვითარებამ დღეისათვის აქტუალური გახადა კომპლექსური თვისებების მქონე სხვადასხვა დანიშნულების პოლიმერული კომპოზიციური მასალების შექმნა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ჰეტერო ჯაჭვურ პოლიმერებს და მათ ბაზაზე მულტიფუნქციური ანტიბიოკოროზიული დამცავი საფრების შექმნას, რაც სხვადასხვა ბუნებრივი, სინთეზური და ხელოვნური მასალისგან დამზადებული მთელი რიგი ნაკეთობების მავნე მიკროორგანიზმებისგან და სოკოებისგან დასაცავად არის გამიზნული.
მიღებული და შესწავლილია ახალი, ხანმოკლე და ხანგრძლივი მოქმედების არაორგანულ-ორგანული ჰიბრიდული ბიოაქტიური კომპოზიტები და ანტიბიოკოროზიული დამცავი საფრებიმათ ბაზაზე. პოლიმერულ მატრიცად გამოყენებულ იქნა სილიციუმორგანული პოლიმერებით მოდიფიცირებული სამრეწველო ორგანული პოლიმერები – პოლიეპოქსიდები და პოლიურეთანები, ხოლო ბიოაქტიურ კომპონენტად პოლიფუნქციური ასიმეტრიული ფრაგმენტების და ფეროცენის ჯგუფის შემცველი ბიოაქტიური ლიგანდებიდა მათ ბაზაზე დასინთეზებული დ-მეტალების ჰეტერომეტალური კოორდინაციული ნაერთები. განსაზღვრულია პოლიმერების, სილიციუმორგანული მოდიფიკატორების და ბიოაქტიური კომპონენტების ოპტიმალური კონცენცენტრაციები. დადგენილია მიღებული კომპოზიტების ძირითადი ფიზიკურ-მექანიკური და საექსპლუატაციო მახასიათებლები. ნაჩვენებია, რომ ნიმუშში მექანიკური ზემოქმედებისას ნიმუშში შეღწევადობის სიღრმის მაქსიმუმი თითქმის ყველა მოდიფიცირებული საკვლევი ნიმუშის შემთხვევაში არამოდიფიცირებულ მატრიცის ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით ნაკლებია. ასევე დაბალია ბლანტენადობის აღდგენის და მექანიკური ზემოქმედების მოხსნის შემდეგ რელაქსირებული ნიმუშის ნაშთის სიღრმის მნიშვნელობა. დადგენილია, რომ შერჩეული მოდიფიკატორებით მოდიფიცირება პოლიმერების მოდიფიცირება ნიმუშის ზედაპირზე ხახუნის კოეფიციენტს მნიშვნელოვნად ამცირებს და ზრდის ცვეთამედეგობას. მიღებული შედეგები პირდაპირ კორელირებს პოლიმერული კომპოზიტების შედგენილობებსთან, გამოყენებული კომპონენტების აგებულებასა და თანაფარდობასთან და ტესტირების პირობებთან, რაც რეალურ შესაძლებლობას იძლევა ასეთი ტიპის მოდიფიკატორები პრაქტიკაში გამოყენებულ იქნას ორგანული პოლიმერების და შესაბამისი კომპოზიტების ტრიბოლოგიური თვისებების გასაუმჯობესებლად.
შესწავლილია დამზადებული არაორგანულ-ორგანული ჰიბრიდული მასალების უანგვითი, თერმოუანგვითი, ტენის (წყალშთანთქმისუნარიანობის), ფოტოქიმიური-დაბერებისადმი და "შუქამინდის" მოქმედებისადმი მდგრადობა. მრავალ ექსპერი-

მენტულ მონაცემზე აგრეთვე, ელექტრონული მიკროსკოპიის გამოყენებით მიღებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ნაჩვენებია, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ შეინიშნება გარეგნული იერსახის, ფერის, რელიეფის, ოპტიკური გამჭვირვალობის და მექანიკური თვისებების (კაწვრადობის) გაუარესება, რაც საშუალებას იძლევა მიღებული მასალები გამყენებულ იქნას სხვადასხვა მასალების და ნაკეთობების, აგრეთვე სამუზეუმო ექსპონატების ანტიბიოკოროზიული დაცვის მიზნით.

მადლობას ვუხდით ვიტოლდ ბროსტოუს, *რეგენტ პროფესორს, Dhc (ნორდ ტექსასის უნივერსიტეტის ავანგარდული პოლიმერების და ოპტიმიზირებული მასალების ლაბორატორიის ("ლაპომ") დირექტორი) კომპოზიტების ტრიბოლოგიური თვისებების შესწავლაში დახმარებისათვის.*

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ხ. ბარბაქაძე, ვ. ბროსტოუ, ჯ. ვაჰრმუნდ, ზ. ჰოიტ, ნ. ლეკიშვილი	"არაორგანულ-ორგანული ჰიბრიდული კომპოზიტების ბაზაზე მიღებული პირდაპირი მოქმედების მულტიფუნქციური ანტიბიოკოროზიული საფრების ტრიბოლოგიური თვისებები"	I საერთაშორისო კონფერენცია კომპოზიტების მექანიკაში; სტონი ბრუკის უნივერსიტეტი,"ლონგ აილანდ", ნიუ იორკი, აშშ 2014, ივნისი, 8-12(მოხსენებათა თეზისები, გვ. 34).

მოხსენების ანოტაცია:

ჩვენ პლანეტაზე ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესების კვალდაკვალ მზარდ სამეცნიერო და პრაქტიკულ ინტერესს იწვევს მულტიფუნქციური, სხვადასხვა აგრესიული მიკროორგანიზმის მოქმედების მიმართ მდგრადი არაორგანულ-ორგანული ჰიბრიდული კომპოზიტების და არატრადიციული მასალების განვითარება ადამიანის ჯანმრთელობის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, მასალათა მეცნიერებასა და მათთან დაკავშირებულ სფეროებში მათი ეფექტური გამოყენების მიზნით.

დასინთეზებული და შესწავლილი იქნა მიზნობრივი, მოლეკულაში ერთდროულად ბის(η^5-ციკლოპენტადიენილ)რკინის, სივრცითი ალიციკლური და ასიმეტრიული სტრუქტურის მქონე პოლიფუნქციური კომპონენტისა და ზოგიერთი ბიოგენური გარდამავალი მეტალის შემცველი ახალი ბიოაქტიური ნაერთები. დადგენილ იქნა მიღებული ნაერთების ანტივირუსული, ანტიმიკრობული და ანტიბაქტერიული აქტიურობა. ნაჩვენები იქნა, რომ საწყისი ლიგანდი ბაქტერიციდულ თვისებებს ავლენს უფრო პასიურად შესაბამის კოორდინაციულ ნაერთთან შედარებით.

სხვადასხვა სფეროში პოლიმერული მასალების მზარდი გამოყენება აგრეთვე მოითხოვს ზედაპირის თვისებების უკეთეს შესწავლასა და კონტროლს. კერძოდ, დაბალი კაწვრადობა და ცვეთამედეგობა, აგრეთვე ეკოლოგიური დეგრადაცია ზღუდავს მათ გამოყენების სფეროს. მასალების და ნაკეთობების ზედაპირის მორფოლოგია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათ ტრიბოლოგიურ და სხვა თვისებებზე. ნარევების დამზადება, ქიმიური მოდიფიკაცია და დანამატების გამოყენება წარმატებით გამოიყენება, როგორც მორფოლოგიაზე მოქმედი მეთოდები. პოლიმერულ მატრიცად შერჩეულ იქნა პოლიფუნქციური არაორგანულ-ორგანული და ორგანული ჰეტეროჯაჭვური პოლიმერები. ჩატარებულ იქნა მათი მოდიფიკაცია სილიციუმორგანული ოლიგომერებით მათი ტრიბოლოგიური და

ზედაპირის სხვა თვისებების გაუმჯობესების მიზნით. მიღებული ბიოაქტიური ნაერთებისა და არამოდიფიცირებული და მოდიფიცირებული პოლიმერული მატრიცების ბაზაზე შემუშავებულ და ტესტირებულ იქნა ხანმოკლე *"Short-time"* და ხანგრძლივი *"Long-time"* მოქმედების მქონე ახალი არაორგანულ-ორგანულ ჰიბრიდული მასალები, კერძოდ ანტიბიოკოროზიული დამცავი საფრები სინთეზური და ბუნებრივი მასალებია და ნაკეთობების, აგრეთვე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით.

მიღებული კომპოზიტების ტრიბოლოგიური თვისებების შესასწავლად გამოყენებულ იქნა სხვადასხვა ხელსაწყო, მათ შორის ტრიბომეტრი "Nanovea pin-on-disk" და Micro Scratch Tester (MST). შეფასებულ იქნა კომპოზიტების შედგენილობის ცვლილების გავლენა მათ თვისებებზე. მიღებული შედეგები დაკავშირებულ იქნა ზედაპირის მორფოლოგიასთან.

დადგენილ იქნა, რომ პოლიმერული მატრიცების მოდიფიკაცია იწვევს დინამიური ხახუნისა და ცვეთადობის შემცირებას, მაშინ, როდესაც კაწვრადობისადმი მდგრადობა იზრდება. ამასთან, მოდიფიცირებული პოლიმერული მატრიცების ბლანტდრეკადობის აღდგენის ხარისხი მაღალია არამოდიფიცირებულ პოლიმერულ მატრიცებთან შედარებით. პოლიმერულ მატრიცაში ბიოაქტიური ნაერთების შეყვანით დინამიური ხახუნის კოეფიციენტის მნიშვნელობა იზრდება, რაც შესაძლებელია აიხსნას მათი სივრცითი სტრუქტურით. მიღებული შედეგები დადასტურებულ იქნა ელექტრონული მიკროსკოპის მეშვეობით Nicon Eclipse ME 600 (SEM) გადაღებული დამცავი საფრების ნიმუშების ოპტიკური გამოსახულებების ზედაპირის მორფოლოგიის კვლევის მეშვეობით. განსაზღვრულ იქნა მიღებული კომპოზიტებისა და დამცავი საფრების წყალშთანთქმისუნარიანობა, ფირის ფორმირების უნარი, თერმული და ფოტოქიმიური მდგრადობა. დადგენილ იქნა მათი გამოყენების სფეროები.

ავტორები მადლობას უხდიან შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს სამუშაოს შესრულებისას ფინანსური მხარდაჭერისათვის.


* საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	"სპეციფიკური თვისებების მქონე კომპოზიტები და მასალები ადამიანის და კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად"; გამოყენებითი ქიმია, არაორგანულ-ორგანული ჰიბრიდული მულტიფუნქციური მასალები.	ნოდარ ლეკიშვილი	პასუხისმგებელი შემსრულებელი: ხათუნა ბარბაქაძე - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი; აკადემიური დოქტორი ელიზავეტა ცხაკაია - მეცნ. თანამშრომელი; რუსუდან ხოსიტაშვილი -

			მეცნ. თანამშრომელი;
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
	კაცობრიობისთვის სამ გლობალურ საფრთხეთან (ენერგოკრიზისი, სასურსათო კრიზისი და ეკოლოგიურიკატასტროფები) ერთად განსაკუთრებულ სასიშროებას წარმოადგენს გარემოსა და ადამიანზე აგრესიული მიკროორგანიზმების და ვირსების მოქმედება. ბევრ ქვეყანაში სხვადასხავა პრევენციულ ღონისძიებასთან ერთად სერიოზული მუშაობა ტარდება მათ დასათრგუნად სათანადო საშუალებების შექმნის მიმართულებით. ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესების კვალდაკვალ, სხვადასხვა ტიპის აგრესიული მიკროორგანიზმების მზარდი პოპულაცია, სხვადასხვა ბაქტერიული დაავადებებთან ერთად, მთელ რიგ ბიოკოროზიული პროცესებს ასტიმულირებს., რაც მრეწველობისა და ტექნიკის მრავალ დარგს ყოველწლიურად მნიშვნელოვან ზარალს აყენებს [1]. ბიოკოროზია ხშირად მასალათა ზედაპირებს შორის აბიოტურ, არასიცოცხლისუნარიან კოროზიის პროდუქტებს, ბაქტერიულ უჯრედებსა და მათ მეტაბოლიტებს შორის კომბინირებული ურთიერთქმედების შედეგია [2]. ზემოაღნიშნული მიკროორგანიზმები, როგორც წესი, ბუნებრივ ბიოფირებში არსებობენ, წარმოქმნიან რა რთულ კონსორციუმებს კოროზიულ მასალათა ზედაპირებზე და იწვევენ აღნიშნული მასალების ფიზიკური და ქიმიური თვისებების შეუქცევად გაუარესებას, არაკონტროლირებად ბიოდეგრადაციას და საბოლოოდ მის დაზიანებას [3, 4]. პრევენციულ ღონისძიებათა შორის სულ უფრო მეტი აქტუალება შეიძინა სხვადასხვა ბიოაქტიური ინოვაციური სტრუქტურათა კომბინაციებით (ორგანული და მეტალორგანული ნაერთების, ბიომოლეკულების, არაორგანული და მეტალორგანული კლასტერების, და ა.შ.) მოდიფიცირებული ანტიმიკრობული ჰიბრიდული კომპოზიტების და მულტიფუნქციური მასალების დიზაინმა [5-11]. ასეთი მასალების შემუშავებისას საბაზისო იდეას წარმოადგენს ბიოაქტიური ჰიბრიდის ფორმირებაში მონაწილე კომპონენტების საუკეთესო თვისებათა შერწყმა და ნაკლოვანებების სინერგიული ეფექტის აღმოფხვრა ან შემცირება [5-8, 10-17]. მავე დროს, არსებითია ექსპლუატაციის პირობებში მათი ფიზიკური და მექანიკური თვისებების (თერმული დაბერებისადმი მდგრადობა, სიმტკიცე, ტრიბოლოგიური მახასიათებლები – კაწვრადობა, ხახუნის კოეფიციენტი, ზედაპირის მდგომარეობა და სხვ.) შენარჩუნება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენი კვლევის მიზანია სპეციფიკური თვისებების მქონე ახალი ანტიბაქტეტრიული, ბიოკოროზიისადმი მდგრადი ისეთი კომპოზიტების და მასალების შექმნა, რომლებიც ამავე დროს სხვა ხისტი ფაქტორების მოქმედების მიმართაც მდგრადი იქნება და უზრუნველყოფს როგორც სხვადასხვა ნაკეთობების და კულტურული მემკვიდრეობის, ისე ადამიანის დაცვას ნაკეთობათა და მასალების ზედაპირებზე მოხვედრილი აგრესიული მიკროორგანიზმების მოქმედებისგან. ამჟამად პოლიფუნქციური ჰეტეროჯაჭვური ორგანული პოლიმერები, როგორებიცაა პოლიურეთანული ელასტომერები, პოლიურეთან-აკრილატები ან იონომერები წარმატებით გამოიყენება ანტიბიოკოროზილი დამცავი საფრების მატრიცებად [18, 19], ხოლო ბიოაქტიურ კომპონენტებად არააქროლადი, დაბალი ლეტალური ეფექტის მქონე მდგრადი მეტალორგანული, კოორდინაციული და შერეული (ჰიბრიდული) არააქროლადი ნაერთები, რომლებსაც შერჩეულ პოლიმერულ მატრიცასთან კარგი თავსებადობის და მასზე მდგრადი		

ფიქსირების უნარი ექნება.

ხანგრძლივი მოქმედების მქონე (“*Long-time*”) ანტიმიკრობული პოლიმერული ჰიბრიდული მასალების დასამზადებლად ჩვენ მიერ გამოყენებულ იქნა ხელმოსაწვდომი სამრეწველო ორგანული ეპოქსიდური ფისი “ბისფენოლ A”-ს ბაზაზე - ED-20 (გამამყარებელი ალიფატური ჰექსამეთილამინი):




(დიეპოქსიდი ბისფენოლ A-ს ბაზაზე)

პოლიმერულ მატრიცად აგრეთვე გამოვიყენეთ პოლიურეთანი 4,4-დიმეთილ-მეთანდიიზოციანატის და ოლიგობუტილენგლიკოლადიპინატის ბაზაზე (PU).

არამოდიფიცირებული პოლიმერები ხასიათდებიან შედარებით დაბალი თერმული მდგრადობით და მოქნილობით, აქვთ ბზარების გაჩენისადმი დამახასიათებელი ტენდენცია და ექსპლუატაციისას შეფერილობის გაუარესება, რაც ზღუდავს ჰიბრიდული მასალების პოლიმერულ მატრიცებად მათ გამოყენებას. ეს კი მითხოვს სხვადასხვა მოდიფიკატორებით მათი თვისებების გაუმჯობესებას. ამ მხრივ პერსპექტიულად მივიჩნიეთ მაღალელასტიური, არააქროლადი, ყინვა, დასხივებისადმი და თერმომედეგი ფუნქციური ჯგუფების შემცველი სილიციუმორგანული ოლიგომერები


ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შერცეული პოლიმერული მატრიცების მოდიფიკაციისთვის გამოყენებულ იქნა ბის(ჰიდროქსიალკილ) პოლიდიმეთილსილოქსანი (DHODMS):




,

სადაც m=15.

.ბიოაქტიურ კომპონენტად გამოყენებულ იქნა ფორმილფეროცენილ-N-(1-ადამანტოილ) ჰიდრაზონი და ნიკელისა და კობალტის კოორდინაციული ნაერთები მათ ბაზაზე [24].



X



where M = Co (**Y**), Ni (**Z**)

მოდიფიკაციისთვის გამოყენებულ იქნა თითოეული დანამატის 3, 5 და 10 %. ჰიბრიდების შედგენილობა მოცემულია ცხრილში 1 და 2.

ცხრილი 1. ორგანული პოლიეპოქსიდის, ED-20 ბაზაზე მიღებული მასალები

კომპოზიტი	შედგენილობა
I	ED-20 არამოდიფიცირებული
II	ED-20 + 3 % (DHODMS)
III	ED-20 + 5 % (DHODMS)
IV	ED-20 + 3 % (DHODMS)+ 5 % X
V	ED-20 + 5 % (DHODMS)+ 5 % X
VI	ED-20 + 3 % (DHODMS)+ 5 % Y
VII	ED-20 + 5 % (DHODMS)+ 5 % Y
VIII	ED-20 + 10 % (DHODMS)
IX	ED-20 + 10 % (DHODMS)+ 5 % X
X	ED-20 + 10 % (DHODMS)+ 5 % Y

ცხრილი 2. პოლიურეთანის PEU ბაზაზე მიღებული მასალები

კომპოზიტი	შედგენილობა
XI	PEU არამოდიფიცირებული
XII	PEU + 3 % (DHODMS)
XIII	PEU + 3 % (DHODMS)+ 5 % X
XIV	PEU + 5 % (DHODMS)+ 5 % X
XV	PEU + 3 % (DHODMS)+ 5 % Z
XVI	PEU + 5 % (DHODMS)+ 5 % Z

ნიმუშების დამზადება:

ორგანულ პოლიეპოქსიდს "ბისფენოლ A"-ს ბაზაზე უმატებენ სხვადასხვა რაოდენობის (3, 5, 10 %) შერჩეულ სილიციუმორგანულ მოდიფიკატორს და კომპონენტებს 30 წუთის განმავლობაში ურევენ ოთახის ტემპერატურაზე; ანტიბიოკოროზიული დამცავი საფრების დასამზადებლად მოდიფიცირებულ პოლიმერულ მატრიცებს უმატებენ 5% ბიოაქტიურ ნაერთს. გამამყარებელად გამოიყენება ჰექსამეთილენდიამინი (7 %).

პოლიურეთანს 4,4-დიმეთილმეთანდიიზოციანატის და ოლიგობუტილენ-გლიკოლადიპინატის ბაზაზე ხსნიან ციკლოჰექსანონში 150-155^{0}C-ზე, უმატებენ 3 და 5 % მოდიფიკატორს და 5% ბიოაქტიურ ნაერთს, მიღებულ ხსნარს ურევენ ჰომოგენური მასის მიღებამდე.

მიღებული მასალები თხელი ფენის სახით იქნა დატანილი სხვადასხვა მასალის (ტეფლონი, პლასტმასა, ხე) ზედაპირზე. გაშრობისა და გამყარების მიზნით აყოვნებენ ოთახის ტემპერატურაზე 48-72 საათის განმავლობაში.

თერმოფიზიკური თვისებების შესწავლა:

დიფერენციული მასკანირებელი კალორიმეტრიული (DSC) ანალიზი

კალორიმეტრიული კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ საკვლევი მასალები ამორფულია და და შესაბამის მრუდებზე ლღობის ტემპერატურული გადასვლები არ შეინიშნება [25]. ყველა ჰიბრიდი ხასიათდება გამინების გადასვლის "პიკით" + 50^{o}C-ზე მაღალ ტემპერატურულ ინტერვალში (ცხრ. 3), რაც მნიშვნე-

ლოვანია აღნიშნული მასალების გამოყენებისას სამუზეუმო ექსპონატების დაცვისათვის. DSC-მრუდებიდან ჩანს აგრეთვე გამინების შესაბამისი ფაზური გადასვლები, ე.წ. β გადასვლები. როგორც ნაჩვენებია გედდის მიერ, დროთა განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეინიშნება მინისებრ მდგომარეობაში [26-28].

ცხრილი 3. საკვლევი მასალების DSC კვლევის შედეგები

სიმბოლო	T_g /°C	simbolo	T_g /°C
I	76	VI	58
II	60	VII	54
III	59	VIII	56
IV	58	IX	42
V	40	X	35

სუფთა ED-20-ზე 3 % ბის(ჰიდროქსიალკილ)პოლიდიმეთილსილოქსანის დამატება იწვევს β გადასვლის ტემპერატურის დაწევას – 47°C-დან – 57°C-მდე. აშკარაა, დაბალ ტემპერატურაზე სუფთა ეპოქსიდის შინაგანი კოჰეზია გამოწვეულია სოლოქსანის თანაობით. მეორეს მხრივ, კომპოზიტს VI აქვს T_β = -44°C. ამგვარად, კობალტის შემცველი კოორდინაციული ნაერთების დამატება ზრდის დაბალი ტემპერატურის ამორფული ფაზის მდგრადობას.

თერმოგრავიმეტრიული ანალიზი (TGA)

თერმოგრავიმეტრიული კვლევები ჩატარებულ იქნა სუფთა და მოდიფიცირებული ეპოქსიდური ჰიბრიდების თერმული დესტრუქციის ქცევის შესაფასებლად. ტესტირებულ იქნა თითოეული მშრალი ნიმუშის 100 მგ. არამოდიფიცირებული ეპოქსიდური მატრიცა და ჰიბრიდები მდგრადია 200^0C-მდე, ხოლო მასის კლება შეადგენს საწყისი მასის 94.6 %-ს. ინტენსიური დესტრუქციის პროცესს ადგილი აქვს 410-430^{0}C ტემპერატურულ ინტერვალში. დარჩენილი მასა კი შეადგენს საწყისი მასის 22 %-ს. აშკარაა, რომ ეპოქსიდურ მატრიცაში მოდიფიკატორის შემცველობა უმნიშვნელო გავლენას ახდენს მიღებული მასალების თერმული დესტრუქციის ქცევაზე.

პოლიურეთანის ბაზაზე მიღებული ჰიბრიდების შემთხვევაში თერმოგრავიმეტრიული კვლევებიდან ჩანს, რომ დარჩენილი მასა 200^0C-ზე უფრო მაღალია - 97.2 %. 330^0C-ზე კი დარჩენილი მასა შეადგენს 35 %-ს.


განსაზღვრულ იქნა აგრეთვე მიღებული დამცავი საფრების წყალშთანთქმისუნარიანობა (W_{H2O}) გრავიმეტრიული მეთოდით [29]. ექსპერიმენტულად დადგენილ იქნა, რომ 7200 საათის განმავლობაში მათი W_{H2O} არ აღემატება 0.03 %-ს. ამასთან, წყალშთანთქმისუნარიანობის მნიშვნელობა მატულობს მოდიფიკატორის კონცენტრაციის ზრდასთან ერთად.

ტრიბოლოგიური თვისებების შესწავლა:

ნიმუშების მთელი რიგი ციკლების საშუალო დინამიური ხახუნის გაზომვები განხორციელდა ტრიბომეტრით “Nanovea pin-on-disk”, რომელიც უზრუნველყოფს ხახუნის და ცვეტადობის პროცესების მოდელირებას საკვლევ ნიმუშზე ბურთულიანი მოწყობილობის უწყვეტ მცოცავ პირობებში (ნახ. 1).

არამოდიფიცირებული ორგანული ეპოქსიდის “ბისფენოლ A“–ს ბაზაზე დამზადებული კომპოზიტის ტრიბოლოგიური თვისებები შესწავლილ იქნა

როგორც დამოწმება დამოწმება მასთან მოდიფიცირებული პოლიეპოქსიდების კომპოზიტების და მათ ბაზაზე დამზადებული არაორგანულ-ორგანული ჰიბრიდული მასალების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების შესადარებლად.




ნახაზი 1. მიღებული ჰიბრიდების და ანტიბიოკოროზიული საფრების საშუალო დინამიური ხახუნის კოეფიციენტების მნიშვნელობათა შედარება


ხახუნი, როგორც კომპოზიტების შედგენილობის ფუნქცია, ძირითადად მცირდება და მოდიფიკატორის კონცენტრაციის ზრდასთან ერთად კვლავ ინარჩუნებს კლების ტენდენციას. ბის(ჰიდროქსიალკილ)პოლიდიმეთილსილოქსანის შემცველი კომპოზიტები ხასიათდებიან უფრო დაბალი საშუალო დინამიური ხახუნით არამოდიფიცირებულ ეპოქსიდურ მატრიცასთან შედარებით, მაშინ როდესაც ფირებში ბიოაქტიური კომპონენტის პროცენტული შემცველობის გაზრდით ხახუნი იზრდება, რაც შეიძლება აიხსნას მათი სივრცითი სტრუქტურით.

საკვლევი მასალების კაწვრადობისადმი მდგრადობის სესწავლის მიზნით ჩატარდა კაწვრადობის პროგრესული ტესტირება ხელსაწყოზე – "Micro Scratch Tester" [(MST) CSM, Neuchatel, შვეიცარია], პროგრამული უზრუნველყოფით «CSEM Scratch Software Version 2.3"]. ტესტებში გამოყენებულ იქნა შემდეგი პარამეტრები: საწყისი დატვირთვა 1.0 N, საბოლოო დატვირთვა 30.0 N, დავირთვის კოეფიციენტი 30.0 N/წთ, მასკანირებელი დატვირთვა 0.05 N, კაწვრადობის სიგრძე 8.0 მმ და სიჩქარე 5.9 მმ/წთ; აგრეთვე "კონუსისებრი ბრილიანტი" 200 μm დიამეტრით და 120^0 კონუსის კუთხით. თითოეული ნიმუშისათვის გამოყენებულ

იქნა 5 ტესტი.



ნახაზი 2. არამოდიფიცირებული და მოდიფიცირებული ჰიბრიდული კომპოზიტების შეღწევადობის სიღრმის მაქსიმუმი, როგორც გამოყენებული ცვალებადი (ზრდადი) ძალის ფუნქცია




ნახაზი 3. არამოდიფიცირებული და მოდიფიცირებული ჰიბრიდული კომპოზიტების ნაშთის სიღრმე, როგორც გამოყენებული ცვალებადი (ზრდადი) ძალის ფუნქცია

შეღწევადობის სიღრმის მაქსიმუმის მრუდებიდან ჩანს (ნახ. 2), რომ მოდიფიკაციით უმჯობესდება კომპოზიტების მიკროკაწვრადობით მყისიერი დეფორმაციისადმი მდგრადობა. ამასთან, ნაშთის სიღრმე ჰიბრიდების უმრავლესობისთვის უფრო მცირეა არამოდიფიცირებულ ეპოქსიდურ მატრიცასთან შედარებით. რამდენადაც აღდგენა 2 წუთის განმავლობაში ხორციელდება, აღნიშნული მნიშვნელოვანი შედეგია. საუკეთესო ბლანტდრეკადობის აღდგენით ხასიათდება მასალები IV და VIII.

განსაზღვრულ იქნა აგრეთვე ნიმუშების მცოცავი ცვეთადობა (SWD) იმავე ჭრილის მრვალრიცხოვანი კაწვრადობის მეშვეობით. ტესტირების შედეგად მიიღება სიღრმის დიაგრამა, როგორც კაწვრადობის რიცხვის ფუნქცია. ნახაზზე 4 ნაჩვენებია ნაშთის სიღრმის (R_h) დიაგრამები (ზედაპირის დაზიანებული სტრუქ-

ტურის აღდგენის შემდეგ), როგორც განხორციელებულ ტესტთა რიცხვის ფუნქცია.




ნახაზი 4. არამოდიფიცირებული და მოდიფიცირებული ჰიბრიდული კომპოზიტების ნაშთის სიღრმე, როგორც კაწვრადობის რიცხვის ფუნქცია მუდმივი ძალის გამოყენებისას 5.0 N

ყველა საკვლევი ჰიბრიდი, ჰიბრიდის III გარდა, ხასიათდება უფრო მცირე ნაშთის სიღრმით არამოდიფიცირებულ ეპოქსიდურ მატრიცასთან შედარებით. ასევე მცოცავი ცვეთადობის ტესტირება აჩვენებს, რომ ჰიბრიდის ფორმირება ზრდის კომპოზიტების კაწვრადობისადმი მდგრადობას. აგრეთვე იმავე ჭრილზე კაწვრის რიცხვის ზრდასთან ერთად შეინიშნება ჰორიზონტალური ასიმპტოტისადმი ტენდენცია [30].

რთული იქნება ზოგადი დასკვნის გაკეთება ეპოქსიდური და პოლიურეთანული კომპოზიტების შედარებისას. როგორც ნახაზიდან 1 ცანს, ყველაზე დაბალი დინამიური ხახუნის კოეფიციენტით ხასიათდებიან ორგანული ეპოქსიდის ბაზაზე მიღებული კომპოზიტები. აღსანიშნავია, რომ მასალების დამზადების ფაქტორების კომბინაცია მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მათ თვისებებს. ამგვარად, ყველაზე მაღალი დინამიური ხახუნის კოეფიციენტით ხასიათდება ბის(ჰიდროქსიალკილ)პოლიდიმეთილსილოქსანის შემცველი კომპოზიტი IX. თუმცა, პოლიურეთანული ჰიბრიდების შემთხვევაში კომპოზიტები XIII და XIV, რომლებიც ასევე მოდიფიკატორს - ოლიგოდიმეთილსილოქსანს შეიცავენ, არ ხასიათდებიან ყველაზე მაღალი დინამიური ხახუნის კოეფიციენტით. ცნობილია, რომ პოლიურეთანული ზედაპირები უფრო რბილია ეპოქსიდურთან შედარებით, რაც ვლინდება ამ უკანასკნელის უფრო მაღალ ცვეთამედეგობაში.


ზედაპირის მორფოლოგია:

რამდენადაც ზედაპირის მდგომარეობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მასალების ტრიბოლოგიურ თვისებებზე, შესწავლილ იქნა მიღებული ჰიბრიდების ზედაპირის მორფოლოგია და ცვეთადობის კვალი დინამიური ხახუნის ტესტირების შემდეგ ელექტრონული მიკროსკოპის Nicon Eclipse ME 600 (SEM) მეშვეობით (ნახ. 5 და 6).



ნახაზი 5. ეპოქსიდური ჰიბრიდული მასალების ზედაპირის მორფოლოგია 200 μm-ზე

ნიმუშების ოპტიკური გამოსახულებებიდან ჩანს, რომ ყველაზე მაღალი ცვეთამედეგობით ხასიათდებიან ჰიბრიდები IV, V, VII და VIII. თითქმის არ შეიმჩნევა ცვეთადობის კვალი ჰიბრიდებისთვის IV და V, რაც შეესაბამება მრავალრიცხოვანი კაწვრადობის ტესტებისას ნაშთის სიღრმის დიაგრამებიდან მიღებულ შედეგებს (ნახ. 4). მაშინ, როდესაც ჰიბრიდს IX აქვს მნიშვნელოვნად მაღალი ნაშთის სიღრმე (ნახ. 4), მრუდს გააჩნია არარეგულარული ხასიათი, რაც გამოიხატება აგრეთვე ზედაპირის სტრუქტურის უთანაბრობით (ნახ. 5). ჰიბრიდი XIV ხასიათდება კაწვრადობისადმი ყველაზე მაღალი მდგრადობით (ნახ. 6).



ნახაზი 6. PEU ჰიბრიდული მასალების ზედაპირის მორფოლოგია 200 μm-ზე

ტრიბოლოგიური კვლევების მიღებული შედეგები შესაძლებელია აიხსნას პოლიმერული კომპოზიტების შედგენილობით, მათი კომპონერბტები მ.წ.-თ და ბუნებით აგრეთვე ექსპერიმენტის პირობებით.

ანტიბიოკოროზიული ფირების საექსპლუატაციო თვისებების შესასწავლად ჩატარდა სხვადასხვა პირობებში მათი გამოცდა. დადგინდა, რომ ეს მასალები გამოირჩევა მაღალი შუქმედეგობით, ტერმოდაბერებისადმი მდგრადობით და ტენმედეგობით. მათი თვისებები (ოპტიკური გამჭვირვალობა, ზედაპირის მდგომარეობა, იერ-სახე, შეფერილობა და ა.შ,) ასევე არ უარესდება ხილული სინათლის, ამონასუნთქი ნარშირორჟანგის, ჰაერის ჟანგბადის და ტენის კომპლექსური მოქმედებისას (ნახ. 7).



ნახაზი 7. შერჩეული ჰიბრიდების სურათები სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედებიდან სამი თვის შემდეგ

ექსპერიმენტული ნაწილის მოკლე აღწერა:

ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების მიღების, გასუფთავებისა და ქიმიური ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა სტანდარტული მეთოდები. პოლიმერული საფრების ტრიბოლოგიური თვისებების განსაზღვრისათვის გამოყენებულ იქნა Spanish Nanovea pin-on-disk Tribometer /Micro Photonics Inc./, Micro-Scratch Tester (MST) /CSM, Neuchatel, შვეიცარია/, Nicon Eclipse ME 600 Microscope.

საკვლევი ნაერთების ბიოლოგიური აქტიურობის, ბაქტერიციდული და ფუნგიციდური თვისებების განსაზღვრისათვის გამოყენებულ იქნა სტანდარტული მიკრობიოლოგიური მეთოდები და მეთოდიკები.

დამცავი საფრების დამზადება:

პოლიურეთანული ანტიბიოკოროზიული დამცავი საფრები დამზადებულ იქნა ე.წ. დატანების მეთოდით: წინასწარ აწონილ მატრიცის პოლიმერს ციკლოჰექსანონის ხსნარში, მუდმივი მორევის პირობებში, თანდათანობით უმატებენ მოდიფიკატორის გარკვეულ რაოდენობას (3-5 მას. %) და ბიოლოგიურად აქტიურ კოორდინაციულ ნაერთს (3-5 მას. %) ღია ფერის ერთგვაროვანი მასის წარმოქმნამდე; მიღებულ კომპოზიციას აფენენ თხელი ფენის სახით წინასწარ შერჩეულ დასაცავ მასალაზე (ხე, პლასტმასა, ტეფლონი და სხვ.) და აყოვნებენ ჰაერზე 24-48 საათის განმავლობაში. გამყარების შემდეგ დასაცავი მასალის ზედაპირზე წარმოიქმნება ესთეტიკური იერსახის გლუვი, გამჭვირვალე, მექანიკურად მტკიცე, ერთგვაროვანი თხელი ანტიბიოკოროზიული დამცავი ფენა.

პოლიეპოქსიდის საფრები დავამზადეთ ED-20-ის ოთახის ტემპერატურაზე თანდათანობით შერევით 3-5% სილიციუმორგანულ მოდიფიკატორთან და ბიოაქტიურ კომპონენტთან (3-10%) მუდმივი მორევის პირობებში. კომპოზიციას ვამყარებდით 48-72 საათის განმავლობაში და ვატარებდით მიღებული საფრების ტესტირებას.

ჩავატარეთ მიღებული კომპოზიტების თვისებების ტესტირება ხის, ტყავის, ბუნებრივი, ხელოვნური და სინთეზური პოლიმერული მასალების, სამუზეუმო ექსპონატების მიკროორგანიზმებისგან ანტიბიოკოროზიული დამცავი საფრების დამზადების მიზნით.

მიღებული კომპოზიციების და მასალების მომზადება არ საჭიროებს რთულ ტექნიკურ აღჭურვილობას, წარმოქმნილი ანტიბიოკოროზიული დამცავი საფრები ტექნოლოგიური (ბლანტდენადობა, დამცავი ფენის წარმოქმნის სიადვილე, ერთგვაროვნება, პოლიმერული სარჩულისა და ბიოაქტიური კოორდინაციული ნაერთების შეთავსებადობა) და ფიზიკურ-მექანიკური პარამეტრებით (ტენმედეგობა, ᲣᲝ დასხივება, თერმული და მექანიკური მდგრადობა) შეესაბამება დამცავი საფრების მიზნობრივ კომპოზიციებს.

ლიტერატურა:

1. B. Tribollet: 'Electrochemical sensors for biofilm and biocorrosion', Mater. & Corros., 2003, **54**, 527.
2. I.B. Beech and J. Sunner: 'Biocorrosion: towards understanding interactions between biofilms and metals', Curr. Opin. Biotechnol., 2004, **15**, 181.
3. P.W. Baker, K. Ito, K. Watanabe: 'Marine prosthecate bacteria involved in the ennoblement of stainless steel', Environ. Microbiol., 2003, **5**, 925.
4. T. Zhang, H.H.P. Fang, B.C.B. Ko: 'Methanogen population in a marine biofilm corrosive to mild steel', Appl. Microbiol. Biotechnol., 2003, **63**, 101.
5. J.D. Gu: 'Microbiological deterioration and degradation of synthetic polymeric materials: recent research advances', Int. J. Biodeterior. & Biodegr., 2003, **52**, 69-91.
6. Chemistry of the Protection of Health, Natural Environment and Cultural Heritages. 41st IUPAC World Chemistry Congress. Torino, August 5-11, 2007.
7. A. W. Wren, M. N. Cummins, M. R. Towler: 'Comparison of antibacterial properties of commercial bone cements and fillers with a zinc-based glass polyalkenoate cement', J. Mater. Sci., 2010, **45**, 5244-5251.
8. O. Clarkin, A. W. Wren, R. Thornton, J. Cooney, M. Towler: 'Antibacterial analysis of a zinc-based glass polyalkenoate cement', J. Biomater. Appl., 2011, **26**, 277-292.
9. M. E. Tousley, A. W. Wren, M. R. Towler, N. P. Mellott: 'Processing, characterization and bactericidal activity of undoped and silver-doped vanadium oxides', Mater. Chem. & Phys., 2012, **137**, 596-603.
10. B. Oktay, N. Kayaman-Apohan: 'Polydimethylsiloxane (PDMS)-based antibacterial organic-inorganic hybrid coatings', J. Coat. Technol. Res., 2013, **10**, 785-798.
11. S. B. Heo, Y. S. Jeon, Y. J. Kim, S. H. Kim, J.-H. Kim: 'Bioinspired self-adhesive polymer for surface modification to improve antifouling property', J. Coat. Technol. Res., 2013, **10**, 811-819.
12. J. Thome, A. Hollander, W. Jaeger, I. Trick, C. Oehr: 'Ultrathin antibacterial poly-ammonium coatings on polymer surfaces', Surf. Coat. Technol., 2003, **174-175**, 584-587.
13. JH. Oh, Y.G. Kim, D.G. Lee: 'Optimum bolted joints for hybrid composite materials', Composite Structures, 1997, **38**, 329-341.
14.P. Mouritz, E. Gellert, P. Burchill, K. Challis: 'Review of advanced composite structures for naval ships and submarines', Composite Structures, 2001, **53**, 21-42.
15. M.V. Hosur, M. Adbullah, S. Jeelani: 'Studies on the low-velocity impact response of woven hybrid composites', Composite Structures, 2005, **67**, 253-262.
16. P. Gomez-Romero, C. Sanchez: 'Functional Hybrid Materials', 2006, Wiley-VCH, Weinheim.
17. I. C. Finegan, R.F. Gibson: 'A review of recent research on mechanics of multifunctional composite materials and structures', Composite Structures, 2010, **92**, 2793-2810.
18. U.V. Savelyev, E.R. Akhranovich, A.P. Grekov, E.G. Privalko, V.V. Korskanov, V.I. Shtompel, V.P. Privalko, P. Pissis, A. Kanapitsas: 'Influence of chain extenders and chain end groups on properties of segmented polyurethanes: I. Phase morphology', Polymer, 1998, **39**, 3425-3429.
19. P. Pissis, A. Kanapitsas, U.V. Savelyev, E.R. Akhranovich, E.G. Privalko, V.P. Privalko: 'Influence of chain extenders and chain end groups on properties of segmented polyurethanes: II. Dielectric study', Polymer, 1998, **39**, 3431-3435.
20 K.P. Menard: 'in Performance of Plastics', Ch. 8, 2000, Editor W. Brostow, Hanser, Munich -Cincinati.
21. W. Brostow, J.-L. Deborde, M. Jaklewicz, P. Olszynski: 'Tribology with emphasis on

polymers: Friction, scratch resistance and wear', J. Mater. Ed., 2003, **25**, 119-132.
22. N.K. Myshkin, M.I. Petrokovets, A.V. Kovalev: 'Tribology of polymers: friction, wear and mass transfer', Tribology Internat., 2005, **38**, 910-921.
23. W. Brostow, V. Kovacevic, D. Vrsaljko, J. Whitworth: 'Tribology of polymers and polymer based composites', J. Mater. Ed., 2010, **32**, 273-290.
24. Kh. Barbakadze, G. Lekishvili, N. Lekishvili: 'Adamantane-containing biologically active compounds: synthesis, properties and use', Asian J. Chem., 2014, **26**, 1315-1317.
25. I.M. Kalogeras, H.E. Hagg Lobland: 'The nature of the glassy state: Structure and transitions', J. Mater. Ed., 2012, **34**, 69-94.
26. S.M. Gubanski, K. Karlsson, U.W. Gedde: in Conference Record of the 1992 IEEE International Symposium on Electrical Insulation, Baltimore, Maryland, June 7 – 10, 1992.
27. U.W. Gedde: 'Polymer Physics', Kluver, Dordrecht – Boston 1999.
28. A. Schönhals, D. Wolff, J. Springer, Macromolecules, 1995, **28**, 6254-6257.
29. T.A. Travinskaia, E.A. Mishuk, L.N. Perepelitisina, Yu.V. Savyelev: 'Obtaining and properties of biodegradable materials based on ionomer polyurethane and polysaccharide', Polimernyi Zh., 2010, **32**, 66-74.
30. W. Brostow, G. Damarla, J. Howe, D. Pietkiewicz: 'Determination of wear of surfaces by scratch testing', e-Polymers, 2004, **025**.
31. W. Brostow, H.E. Hagg Lobland, M. Narkis: 'Sliding wear, viscoelasticity and brittleness of polymers', J. Mater. Res., 2006, **21**, 2422-2428.
32. W. Brostow, H.E. Hagg Lobland, M. Narkis: 'The concept of materials brittleness and its applications', Polymer Bull., 2011, **59**, 1697.

- **ზოგიერთი მნიშვნელოვანი აქტივობა:**

I. ფულბრაიტის გრანტი 04. 11. 2013 - 01. 09. 2014

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	„გაუმჯობესებული ტრიბოლოგიური თვისებების მქონე პოლიმერული მასალების განვითარება"	"ფულბრაიტ" (ინდივიდუალური გრანტი)	მარინა გახუტიშვილი, **ს/კ ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი,** ზოგადი, არაორგანული და მეტალორგანული ქიმიის მასწავლებელი, ქ.მ.კ	მარინა გახუტიშვილი

დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

სამეცნიერო მივლინებით სტაჟირებაზე მიმღები ორგანიზაცია: აშშ, ტექსასის შტატი, ნორდ ტექსასის უნივერსიტეტი, უნივერსიტეტი; ავანგარდული პოლიმერების და ოპტიმიზირებული მასალების ლაბორატორიის ("ლაპომ") მასალების ლაბორატორია; დირექტორი: საპატიო დოქტორი, რეგენტ-პროფესორი, მასალათმეცნიერების და და ინჟინერიის საერთაშორისო ასოციციის პრეზიდენტი; ფულბრაიტის გრანტის მოსაპოვებლად ინიციატორი და გაცემული რეკომენდაციის ავტორი: ქიმიის მეცნ. დოქტორი, ემერიტუს პროფესორი, ინსტიტუტის დირექტორი და სამეცნიერო მიმართულების ხელ-ლი ნოდარ ლეკიშვილი.

კვლევის მიზანი და გამოყენებული მეთოდები: ცვეთამედეგი, დიდი სიმტკიცის, კაწვრისადმი მაღალმდგრადი, და ანტიმიკრობული მასალების შემუშავება და განვითარება.

სამუშაოს შესასრულებლად გამოყენებული ინოვაციური მიდგომები:

1. მიკრო- ან ნანოჰიბრიდების ფორმირება: პოლიმერი + შემავსებელი – მაარმირებელი დანამატები: ბუნებრივი ბოჭკოები, მინერალები, დარიშხანშემცველი ნაერთები და მაკროდისპერსიული მეტალები (მეტალთა "პუდრა", ან სუბმიკრო მდგომარეობა);
2. პოლიმერების ფიზიკური მოდიფიკაცია და შედეგად, მათ მიერ კრისტალური ფაზის ჩასახვის პროცესის ინიცირებს და კვლევა;
3. ანტიმიკრობულ კომპოზიციის კომპონენტებს (პოლიმერული მატრიცა, შემავსებელი და ანტიბაქტერიული აგენტი) შორის თავსებადობის და ურთიერთქმედების გაუმჯობესების (გაძლიერების) მისაღწევად პირობების შემუშავება და მექანიკური, და ტრიბოლოგიური თვისებების გაუმჯობესება;

კომპლექსური კვლევები, გარდა სტაჟირების მასპინძელი (მიმღები) ორგანიზაციისა ტარდებოდა:

ტექსასის უნივერსიტეტის მასალათმეცნიერების და ინჟინერიის დეპარტამენტის ლაბორატორიებში;
ქიმიის და ბიოლოგიის დეპარტამენტის ლაბორატორიებში (პროფ. ს. ბარმბლი, პროფესორი ჯ. იანგბლადი);
ნიუ-იორკის შტატის უნივერსიტეტის კერამიკული მასალების ლაბორატორიაში (პროფ. ა. ვრენი).

კვლევის ძირითადი შედეგები: მიღებული და შესწავლილია გაუმჯობესებული ტრიბოლოგიური თვისებების მქონე ანტიბაქტერიული პოლიმერული კომპოზიტები და მასალები;

კვლების შედეგები მოხსენდა კონფერენციებსა და ლაბორატორიების კოლოკვიუმებზე (სემინარებზე) პრეზენტაციის სახით:

1. SAMPE conference, April 2014. Denton TX ,US.
2. VII International Scientific-Technical Conference "Advance in Petroleum and Gas Industry and Petrochemistry", 19-24 May, 2014. Lviv, Ukraine.
3. ნორდ ტექსასის უნივერსიტეტი, უნივერსიტეტი; ავანგარდული პოლიმერების და ოპტიმიზირებული მასალების ლაბორატორიის ("ლაპომ").

კვლევის დასრულებისას ჩატარდა შესრულებული სამუშაოების პრეზენტაცია/ლექცია "ალფრედ უნივერსიტეტში" და "აუტრიჩის სალექციო ფონდში (OLF); ლექციის თემა: **"ანტიბაქტერიული პოლიმერული კომპოზიტების ტრიბოლოგიური თვისებები"**, ნიუ იორკი, აშშ, 2014.

2	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

	“მცირე პეპტიდები და მოდიფიცირებული მაკროციკლური მოდელები ანალიზურ და წამლების ქიმიაში”	მასარიკის უნივერსიტეტი, ჩეხეთის რესპუბლიკა; უნივერსიტეტის კონტრაქტი: №2014/104253/PrF-1	ლილი არაბული, ს/კ ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ქ.მ.კ.	ლილი არაბული, ს/კ ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ქ.მ.კ.

დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

ალცჰეიმერის დაავადება (AD) პროგრესირებადი ნეიროდეგენერატიული მოშლილობაა, რომელიც ხასიათდება ამილოიდური ფირფიტების თანაობისას. ამილოიდში AD ფირფიტების ძირითადი შემადგენელი არის β-პეპტიდი, რომელიც იხლიჩება მემბრანასთან ბმული ამილოიდის წინამორბედი ცილისგან β/γ *“სეკრეტაზე”* ფერმენტის მეშვეობით. არატოქსიკური Aβ გამომუშავდება ჯანსაღ ტვინში ხსნადი, მონომერული ფორმის სახით. AD რისკ-ფაქტორები დაკავშირებულია β-ამილოიდის არანორმალურ გამომუშავებასთან. Aβ-ს მომატებული გამომუშავება და/ან დაგროვება (აკუმულაცია) პირველ რიგში იწვევს Aβ ოლიგომერის, შემდეგ კი პროტოფიბრილების (უჯრედის ბოჭკოვანი და მილისებური სტრუქტურის წარმომქმნელი ცილოვანი ძაფი) და ფიბრილების (წვრილი ბოჭკო, განთავსებულნი ნერვული, კუნთოვან და ზოგიერთ სხვა უჯრედებში ან უჯრედთაშორის ნივთიერებებში) წარმოქმნას. მეორეს მხრივ, AD ფირფიტებში შეინიშნება (~mM) Fe^{3+}, Cu^{2+} და Zn^{2+} მაღალი კონცენტრაცია იმ დაშვებით, რომ Aβ-ის დაგროვება (აგრეგაცია) შესაძლოა მიმდინარეობდეს ამ ზოგიერთი არსებითი იონის შუამავლობით. აღნიშნული მეტალები მონაწილეობას იღებენ ორ საკვანძო სტადიაში: 1) Cu და Zn-ს Aβ-თან პირდაპირი შეკავშირებისა და დაგროვების (აგრეგაციის) მოდულირების უნარი გააჩნით და 2) ჟანგვა-აღდგენითი Cu და Zn მეტად მნიშვნელოვანია ROS-ის (რეაქციისუნარიანი ჟანგბადიანი სტრუქტურები) წარმოქმნისთვის, თუმცა მეტალის აღდგენის მექანიზმი და ROS-ის წარმოქმნა ჯერ კიდევ გაურკვეველია. ამიტომ, მეტალთა იონების Aβ-თან კოორდინაციის განმარტება მნიშვნელოვანია Aβ-ს დაგროვებასა და ROS-ს წარმოქმნაში მათი როლის გაგების მხრივ. საკითხი დაკავშირებულია მექანიზმთან და/ან Aβ აგრეგატებში Cu^{2+} შემაკავშირებელ სტრუქტურებთან. ბევრი სხვადასხვა და ზოგჯერ სადისკუსიო გამოკვლევა არსებობს სპილენძის და თუთიის (რკინა ნაკლებადაა შესწავლილი) კოორდინაციასთან დააკავშირებით შემოთავაზებულია კოორდინაციის სხვადასხვა სახე. უპირატესად, სპილენძი(II) წარმოქმნის მონომერულ Cu-Aβ (1:1) სახეობებს და მისი კოორდინაციის ტიპი იცვლება pH-გან დამოკიდებულებით, კერძოდ, ნეიტრალურ pH-ზე სულ მცირე ორი, ერთმანეთთან სწრაფ წონასწორობაში მყოფი მაკავშირებელი ტიპი არსებობს. კიდურა ამინი, სამი ჰისტიდინ-იმიდაზოლის რგოლი (His6, His13, His14) და კარბონილისა და კარბოქსილატის ჟანგბადი (Ala2, Asp1, Asp3, Glu3 და Glu11-დან) – ყველაზე გავრცელებული შემაკავშირებელი სახეობებია, მაგრამ გასათვალისწინებელია აგრეთვე დეპროტონირებული პეპტიდური აზოტი. ამგვარად, 2N2O-, 3N1O- და 4N-კოორდინირებული სახეობები ყველაზე მეტად მიღებული ფორმებია (მაგ., HisHis(His), Asp და/ან Glu-დან), მაგრამ არსებობს ჯერ კიდევ პასუხგაუცემელი კითხვები და ჩვენმა საპროექტო წინადადებას შესაძლოა გარკვეული მცირე წვლილი შეიტანოს ალცჰეიმერის დაავადების ქიმიზმის გაგებაში.


Cu^{2+} და Zn^{2+}-თვის დამახასიათებელ მეტალ-ხელატორებს გააჩნიათ მეტალ-Aβ სახეობების დაგროვების (აგრეგაციის) მიმართულების შეცვლისა და დაშლის უნარი ორგანიზმიდან მეტალთა იონების მოცილების პროცესის, ე.წ. ხელატი-

ზაციის მეშვეობით, რაც შემოტავაზებულ იქნა ნეიროტოქსიკურობის შემცირებისა და ტვინში მეტალთა იონების ჰომეოსტასის აღდგენის მიზნით. ახლახანს განვითარებულ იქნა რაციონალური, სტრუქტურულ დიზაინზე დაფუძნებული ბიფუნქციური (მეტალთა ხელატიზაცია და Aβ-ურთიერთქმედება) ნაერთები. მათ შორისაა ბიფუნქციური, ციკლენის ბაზაზე (ჰიბრიდი) მიღებული მოლეკულები (1,4,7,10-ტეტრააზაციკლოდოდეკანი) – Cyc-KLVFF და Cyc-Curcumin, რომელთაც გააჩნიათ Aβ დაგროვების (აგრეგაციის) ინჰიბირებისა და Aβ-გახლეჩის უნარი Aβ-გამოწვეული ნეიროტოქსიკურობის მკურნალობის მიმართულებით. ჩვენი კვლევის მიზანია ციკლენის ბაზაზე მიღებული ჰიბრიდული მულტიდონორული ხელატორების (ნახ. 1, 2) და სხვა მცირე ბიფუნქციური მოლეკულების განვითარება ამ მიმართულებით.

ჩვენი მიმდინარე კვლევის ინტერესსს წარმოადგენს პ-ნიტროფენილაცეტატის ეთერის ჰიდროლიზის გზით მიღებული ბიოლოგიურად შესაფერისი სისტემები და მეტალ-მაკროციკლური სისტემები, თუ ისინი სასურველ შედეგს გამოიწვევენ $[Zn(cyclen)]^2$-ის კატალიზურ აქტიურობაზე ზოგიერთი ამინომჟავის, ფუძეების (იმიდაზოლი, ურაცილი, თიმინი და ა.შ.), Gly-Gly დიპეპტიდის, გლუტათიონის, 2-ამინოეთანთიოლის, ასევე α-, β- და γ-ციკლოდექსტრინების გამოყენებით პ-ნიტროფენილაცეტატის მიმართ დამაჩქარებელი/მაინჰიბირებელი ჰიდროლიტური ეფექტის მეშვეობით.


შესწავლილ იქნა პ-ნიტროფენილაცეტატის ჰიდროლიზი pH 6.15, 7.1, 8.04, 9.4 და 10.4-ზე 25°C-ის პირობებში. დასაწყისში შეინიშნება სპონტანურად მიმდინარე ჰიდროლიზი (K_{obs}=1.30E-05), კატალიზატორის – $[Zn(cyclen)]^{2+}$ გამოყენებით, 2mM (K_{obs}=1.53E-05) და 4mM (K_{obs}=1.62E-05) pH 6.15-ზე, ამგვარად, მცირე დაჩქარებაა ნაჩვენები. რეაქციის სიჩქარე მაღალია pH 7.1-ზე და მიღებულია შემდეგი შედეგები: K_{obs}=1.50E-05 (სპონტანური რეაქცია), 4.49E-05 (2mM კატალიზატორი) და 7.44E-05 (4mM კატალიზატორი).

რეაქცია შესწავლილ იქნა pH 8.04-ზე თუთია-ციკლენის კატალიზატორის გამოყენებით 1mM, 2mM, 3mM და 4mM კონცენტრაციების პირობებში და ჰიდროლიზი დაჩქარებულ იქნა სპონტანურ რეაქციასთან შედარებით (K_{obs}=4.0E-05). კატალიზატორი დამაჩქარებელ ეფექტს ავლენს pH 9.4-ზე. ამინომჟავებიდან Gly, L-Cys და L-His აჩვენა დამაჩქარებელი ეფექტი, ხოლო მაინჰიბირებელი ეფექტი გამოვლინდა სერინის შემთხვევაში და არანაირი ეფექტი გამოვლინდა L-Ala-ის შემთხვევაში pH 8.04-ზე.



ნახ. 1. $[Zn(Cyclen)]^{2+}$-kristali, pH=8.04
1.0 mM [ZnL], 20.0 mM "HEPES" (HEPES/HEPES-Na = 75/225 µL), $2x10^{-5}$ mM 4-NPAc,

Cys (4mM, 8mM)



ნახ. 2. $[Zn(Cyclen)]^{2+}$-serine, pH=8.04
2.0 mM [ZnL], 20.0 mM HEPES (HEPES/HEPES-Na = 75/225 µL), $2x10^{-5}$ mM 4-NPAc, Serine (2mM, 4mM, 6mM)

II. სამეცნიერო კავშირები:

1. ნორდ ტექსასის უნივერსიტეტი; ავანგარდული პოლიმერების და ოპტიმიზირებული მასალების ლაბორატორია ("ლაპომ") 3940 North Elm, dentoni, TX 76207, აშშ; ლაბორატორიის დირექტორი, რეგენტ-პროფესორი ვიტოლდ ბროსტოუ;

2. ჯამილ ახტარი, ნიუ დელის უნივერსიტეტის პროფესორი, სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი და სენსორებისა და ნანო-ტექნოლოგიების ჯგუფის ხელმძღვანელი, ნიუ დელი, ინდოეთი;

3. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ბიოქიმიური ფიზიკის ინსტიტუტის პოლი-მერების დესტრუქციის და სტაბილიზაციის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ქ.მ.დ., პროფესორი გენადი ზაიკოვი;

4. ერევნის საინჟინრო ინსტიტუტი. კათედრის გამგე, სომხეთის მეცნ. აკადემიის წევრ.-კორ. ფიზ. მათ. მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სევან დავთიანი;

5. უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის კიევის მაკრომოლეკულების ქიმიის ინსტიტუტის მთავარი სპეციალისტი, ქ.მ.დ., პროფესორი ალექსანდრე ფაინლეიბი;

6. სუმგაითის პოლიმერული მასალების ს/კ ინსტიტუტი, დირექტორის მოადგილე, ქ.მ.დ. ვალერ ჯაფაროვი;

7. ლუნდის უნივერსიტეტი, შვედეთი (კოორდინატორი ს/კ ინსტიტუტიდან: ლილი არაბული, ქიმ. მეცნ. კანდ.);

8. მასარიკის უნივერსიტეტი, ჩეხეთის რესპუბლიკა (კოორდინატორი ს/კ ინსტიტუტიდან: ლილი არაბული, ქიმ. მეცნ. კანდ.).

III. ერთობლივი სამეცნიერო პუბლიკაციების რაოდენობა:

4 სტატია (მათ შორია 3 სტატია იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში); 1 მოხსენება საერთაშორისო კონფერენციაზე (აშშ).

IV. ს/კ ინსტიტუტში მიმდინარე სამაგისტრო ნაშრომი:

მარიამ კობიაშვილი – **"პოლიმერიზაციული და სამრეწველო პოლიმერების ძირითად ჯაჭვთან კოვალენტურად ბმული ბიოაქტიური ფრაგმენტების შემცველი არაორგანულ-ორგანული ჰიბრიდული მასალები"**

სამეცნ. ხელმძღვანელები: პროფ. ნ. ლეკიშვილი, ქ.მ.დ., ემერიტუსი;
ხ. ბარბაქაძე, აკადემიური დოქტორი

V. ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამის შემუშავება (ბიოფიზიკის ქვემიმართულებასთან ერთად): "ბიოაქტიური ჰიბრიდული სუბმიკრო- და ნანომასალები" (სამაგისტრო პროგრამა ინახება ს/კ ინსტიტუტში)
პროგრამის კოორდინატორები – პროფ. ნოდარ ლეკიშვილი და პროფ. თამაზ მძინარაშვილი

ნივთიერებათა კვლევის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

ნოდარ კეკელიძე. ინსტიტუტის დირექტორი. ფიზ.მათ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი

*** სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა**

1. ნოდარ კეკელიძე - ინსტიტუტის დირექტორი
2. თეიმურაზ ჯახუტაშვილი. დირექტორის მოადგილე. ნივთიერებათა ფიზ.თვისებების კვლევის განყოფილების გამგე
3. ბელა კვირკველია. დირექტორის მოადგილე. ატომურ აბსორბციული სპექტრომეტრიის განყოფილების გამგე
4. მარიამ ელიზბარაშვილი დირექტორის მოადგილე. ეკოლოგიის განყოფილების გამგე
5. ერემია თულაშვილი. მთავარი მეცნიერ თანამშრომელი
6. ზაურ ბერიშვილი. მთავარი მეცნიერ თანამშრომელი
7. მანანა ჩხაიძე. უფროსი მეცნიერ თანამშრომელი
8. ლელა მწარიაშვილი. უფროსი მეცნიერ თანამშრომელი
9. თამარ ქემაშვილი. ტექნიკური მუშაკი
10. დავით კეკელიძე. განყოფილების გამგე
11. ზაურ კვინიკაძე. მთავარი მეცნიერ თანამშრომელი
12. ელზა ხუციშვილი. მთავარი მეცნიერ თანამშრომელი
13. ზაზა ტყეშელაშვილი. უფროსი მეცნიერ თანამშრომელი
14. ანზორ ვეფხვაძე. უფროსი მეცნიერ თანამშრომელი
15. ზინაიდა დავითაია. უფროსი მეცნიერ თანამშრომელი
16. ალბერტ წერელოვი. უფროსი მეცნიერ თანამშრომელი
17. ირინა ამბოკაძე. მეცნიერ თანამშრომელი
18. დავით სუმბაძე. უფროსი მეცნიერ თანამშრომელი
19. გულსუნდა ცოტაძე. უფროსი მეცნიერ თანამშრომელი
20. ნანა მაჭარაძე. მეცნიერ თანამშრომელი
21. კახაბერ ბილაშვილი. მთავარი მეცნიერ თანამშრომელი
22. გია ქაჯაია. მთავარი მეცნიერ თანამშრომელი
23. მაია ცინცაძე. მთავარი მეცნიერ თანამშრომელი
24. გივი ცინცაძე. ქიმიის განყოფილების გამგე
25. თამარ ცინცაძე. მთავარი მეცნიერ თანამშრომელი
26. ნანა ხიხაძე. მეცნიერ თანამშრომელი
27. ნინო ბეკოშვილი. მეცნიერ თანამშრომელი
28. ლალი ახალბედაშვილი. მყარი სხეულების ქიმიური ტექნოლოგიის განყ. გამგე
29. მარინე ალაპიშვილი. უფროსი მეცნიერ თანამშრომელი
30. იზა დავითულიანი. უფროსი მეცნიერ თანამშრომელი
31. ციალა სარიშვილი. მეცნიერ თანამშრომელი
32. ზურაბ ჩუბინიშვილი. ტექნიკური მუშაკი

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული

სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულე-ბის მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	პროექტი: 5910. 1.03.2014-31.08.2015 წ. “მძიმე მეტალები გარემოში და ადამიანის თმებში”. მიმართულება: გარემო და არაბირთვული კვლევები	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. უკრაინის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრი	დ. კეკელიძე	ნ.კეკელიძე ბ.კვირკველია მ.ჩხაიძე გ.ცოტაძე
2	„სოფელ შინდისის (გორის მუნიციპალიტეტი) სხვადასხვა წყაროების სასმელ წყალში ბუნებრივი რადიოაქტიური აირის - რადონის შემცველობის კვლევა“; სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები, დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო; რადიობიოლოგია; გარემოს მონიტორინგი და უსაფრთხოება;	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ე. თულაშვილი	ნ. გარსევანიშვილი
3	III-V ტიპის ნახევარგამტარული შენაერთების და მათი მყარი ხსნარების ზოგიერთი ელექტრული თვისებების გამოკვლევა დასხივებამდე და დასხივების შემდეგ	შ.რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. დოქტორანტური საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსი	ბელა კვირკველია	ნოდარ კეკელიძე ბელა კვირკველია

დასრულებული პროექტის შედეგები

I.

5910 პროექტის მიზანი იყო მძიმე მეტალების შემცველობის შესწავლა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებისა და სოფლების ნიადაგებში და იქ მცხოვრები ადამიანების თმებში. ასეთი რიგის კვლევებისთვის ადამიანის თმები ერთ–ერთი ყველაზე ადვილად მისაწვდომი ბიოსუბსტრატია სხვა სუბსტრაქტებთან (სისხლი, შარდი, კბილები და სხვ.) შედარებით. ასევე გააჩნია რიგი უპირატესობები: სინჯის აღება არ არის მტკივნეული ადამიანისთვის, არ საჭიროებს შესანახად სპეციალურ მოწყობილობას და ინახება ხანგრძლივი დროის განმავლობაში (თმის სინჯის მასა არ აღემატება 0.1–0.3 გ). თმის სინჯების ასაღებად ექსპერიმენტში მონაწილე მსურველთა გამოვლენის მიზნით ჩატარდა მოსახლეობაში საინფორმაციო სამუშაოები, ასევე გამოყენებულ იქნა სილამაზის სალონები. მონაცემები (ვინაობა, სქესი, ასაკი) დაფიქსირდა კონფიდენციალობის დაცვით.

კვლევის ობიექტები იყო საქართველოს სხვადასხვა ქალაქების, სოფლების, ასევე საკურორტო ზონის ნიადაგები და იქ მცხოვრებ ადამიანთა თმები. პროექტის ამოცანებს წარმოდგენდა: საკონტროლო პუნქტების (ქალაქები, სოფლები, საკურორტო ზონა) შერჩევა, საკონტროლო ადგილების რუქის შედგენა. შერჩეულ ადგილებში ნიადაგის და თმის სინჯების აღება. სინჯების დამუშავება და მეტალთა (Pb, Cd, Cu, Zn, Mn, Ni) კონცენტრაციის განსაზღვრა. შეიქმნა კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების სრული ინფორმაციული მონაცემთა ბაზა. ნიადაგსა და თმაში მიღებული შედეგების ანალიზი შეფასდა საქართველოში მოქმედი გარემოს დაცვითი ნორმატიული დოკუმენტების მიხედვით. შესრულდა მოსახლეობის ჯანმრთელობის რისკების შეფასება. შემუშავდა რეკომენდაციები, მძიმე მეტალთა კონცენტრაციის შესამცირებლად, ჩატარდა სემინარი, მომზადდა საინფორმაციო ბუკლეტი და გავრცელდა მოსახლეობაში. აღნიშნული ამოცანების შესრულება დაეფუძნა ექსპედიციებს. აღებულ იქნა ქალაქებიდან, სოფლებიდან და საკურორტო ზონიდან ნიადაგის და თმის სინჯები წინასწარ დაგეგმილი რაოდენობით საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

პროექტის ამოცანების გადასაჭრელად, მეცნიერული მიდგომა დაფუძნებული იყო მეტალის კონცენტრაციის განსაზღვრის ატომურ–აბსორბციული სპექტრომეტრიის მეთოდზე. მეტალების გასაზომად გამოვიყენეთ ხელსაწყო Atomic-Absorption spectrometer AAnalyst 800 (PerkinElmer Inc., USA); with software WinLab 32; საკალიბრო ხსნარების მოსამზადებლად – მეტალთა შემადგენლობის სახელმწიფო სტანდარტული ნიმუშები (Perkin Elmer-ის ფირმის). ასევე საფილტრი სისტემა MILLIPORE და მემბრანული ფილტრები (ფორების ზომა 0.45მკმ). ISO-ს სტანდარტის საფუძველზე შემუშავდა მძიმე მეტალთა განსაზღვრის სტანდარტული ოპერაციული პროცედურა (SOP).

სულ გაანალიზებულ იქნა ნიადაგის 46 სინჯი (თბილისი 12, რუსთავი 3, კასპი 3, კაზრეთი 3, ქუთაისი 3, ჭიათურა 3, ზესტაფონი 3, წაღვერი 2 სოფლები 14). ნიადაგის სინჯების აღება ხდებოდა: ეკოლოგიურად სუფთა ადგილებზე, მაგისტრალის გასწვრივ, სანიტარული ზონის გარეთ. თმის სინჯების რაოდენობა ქალაქების შესაბამისად შეადგენდა - 100, 70, 70, 30, 70, 70, 80, 20, 60. სულ შესრულდა მძიმე მეტალების 3756 განსაზღვრა. ცხადია ასეთი დიდი მოცულობის შედეგების მოყვანა და სრული ანალიზი მოცემულ ანგარიშში შეუძლებელია. ამიტომ შემოვიფარგლებით მოკლე კომენტარებით. მეტალთა გაზომვების შემდეგ დაფიქსირდა კადმიუმის სპილენძის ცინკის, მანგანუმის ტყვიის მომატებული რაოდენობები, რაც არ აკმაყოფილებს მძიმე მეტალების შემცველობის მიღებულ სტანდარტებს. გამოვლენილ იქნა მძიმე მეტალებით დაბინძურებული ტერიტორიები სხვადასხვა ქალაქებში. შეფასების შედეგებმა გვიჩვენა რომ ძირითადად დაბინძურებულია ნიადაგის ის მოედნები რომლებიც მდებარეობენ საწარმოების მიმდებარედ და სავტომობილო გზების გასწვრივ. დაბინძურების წყაროებს ძირითად ნაწილს აქვს ლოკალური ხასიათი და ასეთი ტერიტორიები ხასიათდება, როგორც ეკოლოგიურად არაჯანსაღი. ზოგადად კი ეკოლოგიური სიტუაცია საქართველოს სხვა ქალაქებში შეიძლება შეფასდეს როგორც დამაკმაყოფილებელი.

მოსახლეობის თმებში მძიმე მეტალების შემცველობის კვლევის შედეგები საკმაოდ ინფორმატიულია და შეიძლება განვიხილოთ როგორც ეკოლოგიური სიტუაციის შეფასების ერთ-ერთი მეთოდი. ქიმიურმა ანალიზმა გვიჩვენა ყველა იმ მძიმე

მეტალების არსებობა ადამიანის თმებში, რომელიც დამახასიათებელი იყო ქალაქისა თუ სოფლის ნიადაგისთვის. კვლევების შედეგებმა გამოავლინა დამოკიდებულება მძიმე მეტალებით ნიადაგის დაბინძურებას და მოსახლეობის თმაში მძიმე მეტალების შემცველობას შორის. ზოგიერთ ქალაქში მცხოვრებ მოსახლეობის თმაში მიღებულია მძიმე მეტალების რეკომენდირებულ სიდიდეზე მომატებული რაოდენობები, კერძოდ სპილენძი და თუთია კაზრეთში. მანგანუმი ჭიათურაში, სადაც მოპოვებითი სამუშაოები მიმდინარეობს ქალაქთან საკმაოდ ახლოს.

ზოგადად ეკოლოგიური სიტუაცია ქალაქებში შეიძლება შეფასდეს როგორც დამაკმაყოფილებელი, რაც საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ ობიექტური პროგნოზი მოსახლეობის დაავადებების რისკების ჯგუფების მოსალოდნელ გაზრდაზე ან შემცირებაზე. მოსახლეობის ჯანმრთელობაზე გარემოს მავნე მოქმედების გავლენის შეფასების მიზნით, ვისარგებლეთ აგრეთვე, დაავადებათა ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის რუტინული სტატისტიკით, თუმცა ჯანმრთელობაზე მავნე გავლენის რაოდენობრივი შეფასება გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. რადგან აუცილებელია ჩატარდეს გარემოს ობიექტების (წყალი, ჰაერი, ნიადაგი), კვების პროდუქტების და საკვები ნედლეულის დამატებითი კვლევები მძიმე მეტალების შემცველობაზე. პროექტის ფარგლებში შესრულებულ იქნა ბუკლეტი, „გარემო და ჯანმრთელობა. ტყვიით მოწამვლის პრობლემა ბავშვებში“. შედგა შეხვედრები მოსახლეობასთან და დარიგდა საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტები.

II.

1. ამოცანის 1 - *სოფელ შინდისის წყალმომარაგების მდგომარეობის შესწავლა (წყლის რესურსების ტიპები, მათი განლაგება და ა.შ.)* - შედეგები:
   - შეირჩა ლიტერატურული მონაცემები
   - შესრულებული ანალიზის საფუძველზე შედგენილ იქნა საკონტროლო პუნქტების საბაზო რეპრეზენტაციული ნუსხა (სულ 22 საკონტროლო პუნქტი);
2. ამოცანის 2 - *წყლის ნიმუშებში რადონის შემცველობის დადგენის პრინციპების და შესაბამისი საკონტროლო-საზომი აპარატურის შესწავლა* - შედეგები:
   - ჩატარდა კვლევების მეთოდოლიგიის შესწავლა;
   - წყლის ნიმუშების აღება, გაზომვა;
3. ამოცანის 3 - *წყლის ნიმუშებში რადონის შემცველობის დადგენის პრინციპების და შესაბამისი საკონტროლო-საზომი აპარატურის შესწავლა* - შედეგები:
   - შესრულდა ნიმუშების აღება და რადონის შემცველობის დადგენა - ჩატარდა სხვადასხვა ტიპის წყლის ნიმუშების აღება სულ 61 ცალის რაოდენობით, მათ შორის წყალსადენის წყლის 21 ნიმუში, არტეზიული წყლის 17 ნიმუში, ჭის წყლის 3 ნიმუში, წყაროს წყლის 7 ნიმუში, მდინარის წყლის 10 ნიმუში, ტბის წყლის 3 ნიმუში; გაფორმებულია შესაბამისი ოქმები;
   - ჩატარდა მიღებული შედეგების დამუშავება, მათი ანალიზი და რეკომენდაციების დამუშავება; დადგინდა, რომ რადონის კონცენტრაცია ყველაზე მაღალია არტეზიულ წყალში (საშუალო მნიშვნელობა შეადგენს 6.9 Bq/L), შემდეგ არის ჭის წყალი (5.3 Bq/L), წყაროს წყალი (4.5 Bq/L), წყალსადენის წყალი (2.9 Bq/L), ხოლო ყველაზე დაბალია რადონის კონცენტრაცია მდინარის წყალში (0.27 Bq/L) და ტბის წყალში (0.27 Bq/L).

40/114 პროექტის მიზანი იყო რადიაციულად მდგრადი მასალის შექმნა და მის

ბაზაზე ხისტი გამოსხივებისადმი რადიაციულად მედეგი მაღალეფექტური ხელსაწყოების შექმნა. საკვლევ მასალად შერჩეულ იქნა ინდიუმის არსენიდი, რომელიც გამოიყენება მრავალი ხელსაწყოს დასამზადებლად ელექტრონულ, ინფრაწითელ ტექნიკაში და კვანტურ ეფექტებზე დაფუძნებულ ხელსაწყოებში (ზემაღალი სიხშირის ტრანზისტორები, თერმოგენერატორები, ინფრაწითელი ფოტომიმღებები, მაგნიტომეტრები და სხვა). ყურადსაღებია ინდიუმის არსენიდის გამოყენება უახლოეს ტექნოლოგიებში (ნანოსისტემები, კვანტური სტრუქტურები, ოპტიკური გამაძლიერებლები). ინდიუმის არსენიდი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს რადიაციულად მდგრადი ხელსაწყოების შესაქმნელად. მაღალეფექტური რადიაციულად მდგრადი ელექტრონული მასალების შექმნა წარმოადგენს თანამედროვე არაორგანული მასალათმცოდნეობის ერთ–ერთ მთავარ პრობლემას. მაღალი დოზით დასხივების პირობებში მაღალენერგეტიკულ ბირთვულ ნაწილაკებს და ელექტრომაგნიტურ გამოსხივებას ხელსაწყოები გამოჰყავს მწყობრიდან. ამიტომ მნიშვნელოვანია შეიქმნას ხისტი გამოსხივებისადმი რადიაციულად მდგრადი ხელსაწყოები ხმაურის მინიმალური დონით. ჩერნობილის და ფუკუშიმოს ავარიების შემდგომ, განსაკუთრებით მწვავედ დადგა რადიაციულად მდგრადი რობოტებისა და ხელსაწყოების შექმნის საკითხი.

აღნიშნული პრობლემა აქტუალურია საქართველოსთვისაც, რომელიც დაზარალდა ჩერნობილის ავარიისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის სამხედრო ბაზების შედეგად და რომელიც ასე ახლოს მდებარეობს სომხეთის მეწამორის რეაქტორიდან. მაღალი რადიაციული რისკებია აგრეთვე კოსმოსში, განსაკუთრებით ზეშორი ფრენების დროს, ასევე ბირთვულ რეაქტორებზე, ატომურ ელექტროსადგურებზე, წყალქვეშა ხომალდებზე და სხვა. ამ მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია InAs-ის უნიკალური რადიაციული თვისებები. ოკერმანის ადრეული ექსპერიმენტების შემდეგ ქართველი ფიზიკოსების მიერ ნაჩვენები იქნა, რომ განსხვავებით სხვა ნახევარგამტარული მასალებისგან, სადაც რადიაციის მოქმედების შედეგად, როგორც წესი, ყოველთვის წარმოიქმნება ელექტრონების (ხვრელების) ჩამჭერი რადიაციული ცენტრები, InAs-ში რადიაცია ქმნის თავისუფალ ელექტრონებს, **დასხივების ნებისმიერ პირობებში.**

აღსანიშნავია, InAs-ის შემცველ ნახევარგამტარულ InAs-InP მყარ ხსნარებში კრისტალური მესერის რხევის „ორმოდიანი“ ქცევა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ InAs-ის და InP-ს ქვემესერები ინარჩუნებენ ინდივიდუალობას. InP-თი მდიდარ InAs-InP მყარ ხსნარებში დასხივებისას დაიკვირვება იგივე პროცესები, რაც InP-ში, ანუ დენის მატარებელთა კონცენტრაციის შემცირება. InAs-ით მდიდარ InAs-InP მყარ ხსნარებში კი ადგილი აქვს დენის მატარებელთა კონცენტრაციის ზრდას. ამრიგად, მყარ ხსნარებში დაიკვირვება ორი ქვემესერის შერწყმა, რომლის შედეგად დასხივებისას ვითარდება ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიმართული პროცესი. ცხადია, რომ InAs-InP მყარი ხსნარების შემადგენლობისა და მინარევის კონცენტრაციის შერჩევით შესაძლებელია მასალის „თვითაღდგენის“ პროცესი და შესაბამისად მასალა ხდება მდგრადი რადიაციული დასხივებისადმი.

ამრიგად, InAs-InP მყარი ხსნარების ბაზაზე შეიქმნა მასალა, რომელსაც გააჩნია დასხივებისადმი მაღალი ხარისხის მდგრადობა. დასხივებისას დენის მატარებელთა კონცენტრაცია (ნახევარგამტარი მასალების და ხელსაწყოების მთავარი პარამეტრი) ამ მყარ ხსნარებში არ იცვლება. შესაბამისად არ იცვლება ელექტროგამტარობა ჩქარი

ნეიტრონებით ისეთი ხისტი დასხივებისას, როგორიცაა $\Phi=2\cdot10^{18}$ნეიტრონი/სმ^2. Si და GaAs-ში კი ელექტროგამტარობა მცირდება 10000-ჯერ უკვე $1\cdot10^{17}$ნეიტრონი/სმ^2 დასხივებისას.
პროექტი მეტად მნიშვნელოვანი იყო, ვინაიდან შეიქმნა რადიაციულად მდგრადი მასალა InP-ს მცირე დამატებით და დეტალურად იქნა შესწავლილი ამ მასალის ელექტრული თვისებები დასხივებამდე და ნეიტრონების ჩქარი ნაკადით დასხივების შემდეგ.
შესწავლილ იქნა დენის მატარებელთა გაბნევისა და დეფექტწარმოქმნის მექანიზმები.
დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო პროექტის ფარგლებში შედეგები მოხსენებულ იქნა საერთაშორისო კონფერენციებზე, მათ შორის 32nd Internastional Conference on the Physics of Semiconductors. Austin. USA, გამოქვეყნებულია სტატიები რეიტინგულ საერთშორისო ჟურნალებში.
დაცულია დისერტაცია.

II. 4.

2	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეც-ნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	პროექტი: DI/38/7-220/14. 19.03.2014-19.03.2017 წ. “ქართულ წითელ ღვინოებში ანტიოქსიდანტების და მინერალური კომპონენტების კომპლექსური კვლევა ანალიზის თანამედროვე ფიზიკურ ქიმიური მეთოდებით“. ზოგადი ბიოქიმია; ფიზიკურ-ქიმიური ბიოლოგია; ანალიზური ქიმია	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ნ. კეკელიძე	ბ. კვირკველია ლ.ახალბედაშვილი ზ. სამხარაძე გ. მაისურაძე მ.მირცხულავა
2	„საქართველოს ზოგიერთი რეგიონის სხვადასხვა ნიადაგ-გეოლოგიური სტრუქტურის ფონური ბუნებრივი და ტექნოგენური რადიოაქტივობა და მოსახლეობისათვის რადიოლოგიური რისკის შეფასება“; სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები, დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო; რადიობიოლოგია, გეოქიმია; რადიაციული	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	თ. ჯახუტაშვილი	ბ.თუთბერიძე ე.თულაშვილი მ.ჩხაიძე ლ.მწარიაშვილი

	უსაფრთხოება;			

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

დასრულებული ეტაპის (1-ლი პერიოდი) შედეგები (ანოტაცია)

I.

DI/38/7-220/14. ღვინო მიიღება ყურძნის წვენის ფერმენტაციის შედეგად და მასში აღმოჩენილია 1000-მდე სხვადასხვა კომპონენტი. თვითონ ყურძენი შეიცავს 20 ცნობილ ანტიოქსიდანტს, რომლებიც მოქმედებენ კომპლექსში და იგერიებენ თავისუფალი რადიკალების შემოტევებს. ანტიოქსიდანტებს შეიცავს მცენარის კანი და თესლები და რაც მეტადაა კანი შეფერილი, მით მეტია ეს ანტიოქსიდანტები. ეს ნიშნავს, რომ მუქი ჯიშის ყურძნის წვენს აქვს უფრო ძლიერი მოქმედების უნარი. ყველაზე ცნობილი და მძლავრი ანტიოქსიდანტებიდან, რომელსაც შეიცავს წითელი ღვინო, არის რესვერატროლი, რომელსაც
ჭარბი რაოდენობით შეიცავს ვაზის ფოთლები, ტოტები და ფესვები. როგორც სხვა ანტიოქსიდანტები რესვერატროლი ანეიტრალებს თავისუფალ რადიკალებს, რომლებიც წარმოიქმნება გარემოში მავნე ნივთიერებებისგან. ამით არის გამოწვეული ის, რომ წითელი ღვინო ხსნის სისხლძარღვთა სპაზმებს და ხელს უშლის სტრესის განვითარებას, აქვეითებს სისხლში ქოლესტერინის დონეს, კლავს ავადმყოფობისას წარმომქმნელ ბაქტერიებს, აუმჯობესებს ნაწლავების, ნაღვლის ბუშტის და კუჭქვეშა ჯირკვლის მუშაობას. ჯერჯერობით რესვერატროლის კვლევები მსოფლიოში განვითარების ადრეულ სტადიაშია, მაგრამ ეს ნივთიერება უკვე დამკვიდრდა როგორც განსაკუთრებით ძლიერი ანტიოქსიდანტი. ცდებმა აჩვენა, რო ის 17-ჯერ ეფექტურად ებრძვის თავისუფალ რადიკალებს, ვიდრე იდებენონი. ღვინო კი არის რესვერატროლის ერთ-ერთი ყველაზე კონცენტრირებული წყარო.
პროექტის ფარგლებში, ქართული წითელი ღვინოებში ანტიოქსიდანტების და მინერალური კომპონენტების კომპლექსური შესწავლის მიზნით, შეიქმნა შესააბამისი სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის და ნორმატიული დოკუმენტების მონაცემთა ელექტრონული ბანკი; ISO-ს სტანდარტების შესაბამისად შეირჩა და შემუშავდა ღვინოში მინერალური კომპონენტების განსაზღვრის ატომურ აბსორბციული (აას) მეთოდი მძიმე მეტალებისათვის: ISO 6561-2:2005; 6633:1984; 6636-2:1981; 15061:2001 და სხვა; ანიონებისათვის და ტუტე იონებისათვის - ISO 762-2003; 763-2003. ფენოლური ნაერთების ინდენტიფიკაციისათვის მომზადდა სითხური ქრომატოგრაფი Agilent Technologies 1200 სერიის, მოძრავ ფაზად გამოყენებული იქნება აცეტონიტრილი/ ბიდისტილატი/ ძმარმჟავას ნარევი 90:8:2. უძრავ ფაზად ქრომატოგრაფიული სვეტი C18.
მინერალური კომპონენტების განსაზღვრისთვის გამზადდა Perkin-Elmer-ის ფირმის აას AAnalyist-800 სპექტროფოტომეტრი, ალური სპექტროფოტომეტრი, ფოტოელექტრო კოლორიმეტრი КФК-2, pH-მეტრი, პოტენციომეტრი და გატიტვრისთვის საჭირო აღჭურვილობა და ქიმიური ჭურჭელი.

II.

1. ამოცანის 1 - *საინფორმაციო მასალების ანალიზი და საველე ექსპედიციებების ჩატარება* - შედეგები:

- ქვეამოცანა 1.1 - *ლიტერატურული მონაცემების შეგროვება და საკონტროლო პუნქტების ჩამონათვალის შედგენა, აპარატურის ტესტირება:*

○ შეირჩა ლიტერატურული მონაცემები და შესრულებული ანალიზის საფუძველზე შედგენილ იქნა საკონტროლო პუნქტების საბაზო რეპრეზენტაციული ნუსხა; პროექტში დაგეგმილ საკვლევ რეგიონებში შეირჩა ძირითადი უბნები:

- მცხეთა-მთიანეთის რეგიონში - ხუთი უბანი;
- შიდა ქართლის რეგიონში - სამი უბანი;
- ქვემო ქართლის რეგიონში - ხუთი უბანი;
- კახეთის რეგიონში:

✓ *a* მარშრუტით - ექვსი უბანი;
✓ *b* მარშრუტით - სამი უბანი;

აღნიშნულ უბნებში დადგენილ იქნა საკონტროლო პუნქტების ჩამონათვალი, რომელიც შეიცავს 137 საკონტროლო პუნქტს, სადაც ჩატარდება ნიადაგების და ქანების ნიმუშიების აღება, აგრეთვე ჩატარდება წყლის ნიმუშების აღება, ნიადაგური რადონის და დოზიმეტრიის დონის კვლევა;

○ შესრულდა აპარატურის ტესტირება;

- დამუშავდა გამა-სპექტრომეტრის ტესტირების მეთოდოლოგია ეტალონური წყაროს და ექსპერიმენტალური ნიმუშის სპექტრის გამოყენებით;
- ჩატარდა დანადგრის ტესტირება ეტალონური წყაროს გამოყენებით, რის შედეგად შესრულდა ანალიზატორის არხების დაკალიბრება დასაშვებ ნორმებში ±0.20 keV;
- ჩატარდა სპექტრომეტრის დამატებითი დაკალიბრება ექსპერიმენტალური ნიმუშის სპექტროს ანალიზის მიხედვით; შესრულდა გამა-სპექტრომეტრის დამატებითი დაკალიბრება სპექტრის მაღალენერგეტიკულ არეში შემდეგი ხაზების მიხედვით: K-40 (1460.82 keV) და Tl-208 (2614.51 keV);
- დადგინდა აპარატურის ტესტირების პერიოდულობის აუცილებლობა (ერთხელ ორ კვირაში).

- ქვეამოცანა 1.2 - *საველე ექსპედიციები:*

○ მცხეთა-მთიანეთის რეგიონის სტეფანწმინდა-გუდაურის რაიონში 2015 წელს 9 სექტემბერს ჩატარდა პირველი საველე ექსპედიცია;

○ ექსპედიციის დროს შეირჩია ნიმუშების აღების 8 საკვლევი უბანი და 18 საკონტროლო პუნქტი, ასევე დადგინდა მათი კოორდინატები;

○ დადგენილ საკონტროლო პუნქტებში იყო აღებული ნიმუშები:

- ქანები - 10 ნიმუში (მათ შორის 8 საკვლევი და 2 საკონტროლო ნიმუში);
- ნიადაგი - 8 ნიმუში (მათ შორის 5 საკვლევი და 3 საკონტროლო ნიმუში);
- წყალი - 6 ნიმუში (მათ შორის 5 საკვლევი და 1 საკონტროლო ნიმუში).

○ გაიზომა რადონის აქტივობის კონცენტრაცია ნიადაგურ აირში 1 საკონტროლო პუნქტში და ჩატარდა დოზიმეტრიული გაზომვები 6 საკონტროლო პუნქტში.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის	გამოცემის ადგილი,	გვერდების

		სახელწოდება	გამომცემლობა	რაოდენობა
1	N.Kekelidze, D.Kekelidze, E.Khutsishvili, B.Kvirkvelia, L.Nadiradze	The effect of mutual compensation of radiation donors and acceptors in semiconductors	Proc. of the 2nd international conference: "Modern technologies and methods of inorganic materials science" April 20-24, 2015 in Tbilisi (Georgia), pp. 197-202, 2015.	5
2	L.Nadiradze, N.Kekelidze, D.Kekelidze, E.Khutsishvili, B.Kvirkvelia, G.Kekelidze	Investigation of Optical Absorption in III-V Compounds	Proc. of International Conference on Advanced Materials and Technologies (ICAMT), 21-23 October, pp.106-109, 2015, Tbilisi, Georgia	4
3	N.Kekelidze, D.Kekelidze, E.Khutsishvili, B.Kvirkvelia, L.Nadiradze, I.Ambokadze, G.Kekelidze	Technology for creation of radiation hard materials	Proc. of International conference Advanced Materials and Technologies. Dedicated to the anniversary of foundation of Ilia Vekua Sukhumi Institute of Physics and Technology. Proceedings. Pp.68-70	3
4	Elza khutsishvili, Nunu Khutsishvili, Leonti Gabrichidze, Nana KobulaSvili Nodar Kekelidze	Effective segregation coefficient of microimpurities in Si obtained by Czochralski pulling directly from metallurgical Si melt	Proc. of the 2nd international conference: "Modern technologies and methods of inorganic materials science" April 20-24, 2015 in Tbilisi (Georgia),pp.254-260, 2015.	7
5	E. Khutsishvili, N.Khutsishvili, L.Gabrichidze, N.Kobulashvili, N. Kekelidze	Removal of Impurities from Metallurgical Silicon	Proc. of International Conference on Advanced Materials and Technologies (ICAMT), 21-23 October, pp.86-89, 2015, Tbilisi, Georgia	4

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. InAs-InP მყარ ხსნარებში გამოვლენილი და შესწავლილია რადიაციული დონორებისა და აქცეპტორების ურთიერთ კომპენსაციის ეფექტი.

2. InAs, InP და მათ მყარ ხსნარებში გამოკვლეულ და გაანალიზებული იქნა ოპტიკური შთანთქმის კოეფიციენტის სიხშირეზე დამოკიდებულება, ფუნდამენტური შთანთქმის კიდის მახლობლად, ოთახისა და დაბალ ტემპერატურებზე. ექსპერიმენტები ჩატარდა ელექტრონებით და ჩქარი ნეიტრონებით დასხივებულ და დაუსხივებელ კრისტალებზე. დამუშავებულ იქნა შტანთქმის ზოგადი მექანიზმი, რომელიც კარგ თანხმობაშია ექსპერიმენტულ მონაცემებთან.

3. რადიაციული დონორებისა და აქცეპტორების ურთიერთკომპენსაციის ჩვენს მიერ აღმოჩენილი მოვლენის საფუძველზე დამუშავებულ იქნა III-V ტიპის რადიაციულად მდგრადი მასალების მიღების ტექნოლოგია.

4. შესწავლილია მავნე მინარევების განაწილების ეფექტური კოეფიციენტი მეტალურგიული სილიციუმის ნადნობიდან ამოწევით მიღებულ სილიციუმის კრისტალში. სილიციუმში გამოთვლილი იქნა მინარევების ეფექტური განაწილების კოეფიციენტი. დადგენილია მინარევის განაწილების კანონზომიერება სილიციუმის სხმულის სიგრძის გასწვრივ.

5. ჩატარდა მეტალურგიული MG-Si (metallurgical-grade) KP-1 მარკის სილიციუმის 98 Si-ის წონ%-ით 2% არასასურველი Fe, Al, P, Ca, , Cu, Mg, Mn, Ni, Ti მინარევებისაგან გაწმენდა. სილიციუმში ძირითადი მინარევების საკმარისად მცირე განაწილების კოეფიციენტის (10^{-4}-10^{-6}რიგის) გამო მინარევებისაგან გაწმენდისათვის გამოყენებული იყო მეთოდი, რომელსაც საფუძვლად ედო ლითონური მინარევის სეგრეგაცია გამყარებისას: ნადნობიდან სილიციუმის ამოწევის ჩოხრალსკის მეთოდი. რენტგენოსპექტრული მიკროანალიზატორით და ემისიურ-სპექტრული ანალიზით შესწავლილია სილიციუმში ძირითადი დამაბინძურებელი მინარევების შემცველობა გაწმენდამდე და გაწმენდის შემდეგ და დადგენილია გაწმენდის ეფექტურობა. სილიციუმი გაიწმინდა უმრავლესი მინარევისაგან ეფექტურად ~99.99წონ%-მდე.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	D. Kekelidze, G. Tsotadze, B. Kvirkvelia, N. Bekoshvili, M. Chkhaidze, N. Kekelidze	Some methodological aspects of measurements of heavy metals concentration by atomic-absorption spectrometer საქართველოს ქიმიური ჟურნალი	ტომი.15, #1, 2015	თბილისი, გამომცემლობა“უნივერსალი“	გვ.46-50

2	Д. Кекелидзе, Г. Цотадзе, Б. Квирквелия, М. Цинцадзе, Н. Бекошвили, Н. Кекелидзе	Содержание некоторых тяжелых металлов в волосах жителей г. Тбилиси	საქართველოს ქიმიური ჟურნალი ტომი.15, #2, 2015	თბილისი, გამომცემლობა “უნივერსალი“	იბეჭდება
3	L.Nadiradze, B.Kvirkvelia, E.Khutsishvili, D.Kekelidze, G.Kekelidze, N.Kekelidze	Investigation of Optical Absorption in III-V Compounds	International Copference Advanced Materials and Technologies. Proceedings.Dedicated to the anniversary of foundation of Ilia Vekua Sukhumi Institute of Physics and Technology. pp. 106-109	Tbilisi. Georgia	4
4	Квирквелия Б.В, Кекелидзе Н.П, Хуцишвили Е. В, Кекелидзе Д. Г, Надирадзе Л. Д, Амбокадзе И.Р	ПОЛУЧЕНИЕ И ИССЛЕДОВАНИЕ ЭЛЕКТРИЧЕСКИХ СВОЙСТВ ФОСФИДА ИНДИЯ, АРСЕНИДА ИНДИЯ И ИХ СПЛАВОВ ДО И ПОСЛЕ ОБЛУЧЕНИЯ БЫСТРЫМИ НЕЙТРОНАМИ И ЭЛЕКТРОНАМИ	Proceedings of the Georgian National Academy of Sciences. Chemical Series. In press.	Тбилиси. Грузия	12
5	ი.ფულარიანი, ნ. კეკელიძე, მ. კერესელიძე, რ. რაზმაძე, ნ. ხუციშვილი	მაგნიუმის ქლორიდის რკინის ფხვნილით აღდგენის პროცესის შესწავლა“ მეცნიერება და ტექნოლოგია	№2(719) 2015	თბილისი	5
6	ი. ფულარიანი, ნ. კეკელიძე, მ. კერესელიძე, რ. რაზმაძე, ნ. ხუციშვილი	მაგნიუმის სილიციდისა და სილანის მიღების პროცესების გამოკვლევა” საქ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე ქიმიის სერია	ტ.41, №4, 2015	თბილისი	5
7	ი. ფულარიანი, ნ. კეკელიძე, მ. კერესელიძე, რ. რაზმაძე, ნ. ხუციშვილი	“ქლორიდების ლღობილში დაბალხარისხოვანი კვარციტის მაგნიუმთერმული აღდგენის პროცესის გამოკვლევა“ საქ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე ქიმიის სერია	ტ.41, №4, 2015.	თბილისი	5
ანოტაციები ქართულ ენაზე					

1. ნაშრომში მოცემულია უახლესი ატომურ აბსორბციული სპექტრომეტრის, AAanalyst800-ის, მოკლე აღწერა. მოცემულია ხელსაწყოს შედგენილობის ძირითადი მახასიათებლები და ზოგიერთი კომპონენტების დანიშნულება. აღწერილია ნიადაგის და თმის სინჯის აღების, დამუშავების და მეტალთა გაზომვის ძირითადი მეთოდოლოგიური ასპექტები. ასევე მოცემულია საკონტროლო სინჯების ძირითადი ტიპები, რომლებიც მზადდება და გამოიკვლევა გაზომვითი სამუშაოების დროს.
2. ჩატარდა კვლევა ზოგიერთი მძიმე მეტალის შემცველობის განსაზღვრისთვის ქ. თბილისის მოსახლეობის თმებში, ატომურ-აბსორბციული სპექტრომეტრის გამოყენებით. წარმოდგენილია მეტალების (Pb, Cd, Cu Zn, Mn, Ni) კვლევების შედეგები ქალის და კაცის თმებში სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში. ჩატარებულია მიღებული შედეგების ანალიზი. დაფიქსირებულია მძიმე მეტალების შედარებით მომატებული შემცველობა საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებით. მოყვანილია მძიმე მეტალთა შემცველობის დიაპაზონები და გადახრა ნორმიდან %-ებში.
3. გამოკვლეულ იქნა ოპტიკური შთანთქმა III-V ნაერთებში.
4. მოდიფიცირებული ზონური დნობის მეთოდის გამოყენებით გაზრდილ იქნა InP_xAs_{1-x} მყარი ხსნარებისა და მათი კომპონენტების კრისტალები. შენადნების ჰომოგენურობა მკაცრად კონტროლირდებოდა მიკრორენტგენოსკოპიული ანალიზით, აგრეთვე ელექტრული და ოპტიკური მეთოდების საშუალებით. კრისტალების ლეგირება ხორციელდებოდა დონორული და აქცეპტორული მინარევებით, ფართო კონცენტრაციულ ინტერვალში $(1\cdot10^{16} - 2\cdot10^{19})სმ^{-3}$. გაზომილ და გაანალიზებულ იქნა ნიმუშების ხვედრითი ელექტროგამტარებლობის და მუხტის მატარებელთა კონცენტრაციისა და ძვრადობის ტემპერატურული დამოკიდებულებები კრისტალების ჩქარი ნეიტრონების დიდი დოზით ($ф=2\cdot10^{18}ნ/სმ^2$) და აგრეთვე 50MeV და 3MeV ენერგიების მქონე ელექტრონებით დასხივებამდე და დასხივების შემდეგ.
   განსაზღვრულ იქნა დეფექტთწარმოქმნის მექანიზმები. გამოვლინდა წერტილოვანი და მოუწესრიგებელი უბნების როლი რადიაციულ პროცესებში. დადგენილ იქნა მუხტის მატარებელთა გაბნევის მექანიზმები წერტილოვან დეფექტებზე და მოუწესრიგებელ არეებზე. მიღწეულია თანხვედრა ექსპერიმენტულ და თეორიულ გამოთვლებს შორის.
5. დადგენილ იქნა ქლორწყალბადის არეში ნამწვის დამუშავების შედეგად წარმოქმნილი ქლორიდების აორთქლების ოპტიმალური პირობები. ქლორწყალბადის არეში სრული გაუწყლოება ხდება 400^0 C ტემპერატურაზე. შესწავლილია უწყლო მაგნიუმის ქლორიდის რკინის ფხვნილით აღდგენის პროცესი. დადგენილია მოქმედ ფაქტორთა ოპტიმალური მნიშვნელობანი. მაგნიუმის ქლორიდის აღდგენის მაქსიმალური ხარისხი(≈ 100%) მიიღწევა 740^0C-ზე.
6. განსაზღვრულია დაბალხარისხოვანი(ბაჯიტის) კვარციტის მაგნიუმთერმული აღდგენისას მაგნიუმის სილიციდის წარმოქმნის პროცესზე მომქმედ ფაქტორთა ოპტიმალური მნიშვნელობანი სილიციდის მაქსიმალური გამოსალის მიღების თვალსაზრისით. ტემპერატურა 800C, კვარციტის ძირითადი ფრაქცია 8-10მკმ და დამატებული მაგნიუმის რაოდენობა 1,6 სტექიომეტრულთან შედარებით. დადგენილია სილიციდის შემცველი რეაქციის პროდუქტის მარილმჟავით დამუშავების პროცესის ოპტიმალური მართვის პირობები და დამუშავებულია სილიციდის მჟავებით დამუშავებისას წარმოქმნილ აირად პროდუქტებში სილანის განსაზღვრის მეთოდიკა.
7. ნაშრომში წარმოდგენილია დაბალხარისხოვანი კვარციტის მაგნიუმით აღდგენის პროცესის კვლევის ზოგიერთი შედეგი. დადგინდა, რომ აღმდგენელის სტექიომეტრიული რაოდენობით დამატებისას პროცესი ბოლომდე არ მიმდინარეობს და ამ დროს მიღწეული აღდგენის ხარისხი არ აღემატება 90%. მაგნიუმის რაოდენობის გაზრდით შეიძლება მიღებული იქნას ტექნიკური

სილიციუმი, მაგრამ აღდგენის დროს მიღბული პროდუქტი შეიცავს სილიციდს და შესაბამისად მჟავით დამუშავების დროს გამოიყოფა დიდი რაოდენობით სილანი, რომელიც ართულებს ტექნოლოგიურ პროცესს. დიფუზიური პირობების გაუმჯობესების მიზნით პროცესი ჩატარებული იქნა NaCl-KCl-ის ექვიმოლურ ნარევში. შედეგად მიღწეული იქნა აღდგენის მაქსიმალური ხარისხი და აღდგენილი მასის მხოლოდ მარილმჟავით დამუშავებით მიღებული იქნა რენტგენულად ამორფული სილიციუმი, რომლის სისუფთავე 99%-ს აღემატება და იგი ჩოხრალსკის მეთოდით გასუფთავების შემდეგ გამოდგება „მზიური“ სისუფთავის სილიციუმის წარმოებისათვის.

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	N. Kekelidze, T. Jakhutashvili, E. Tulashvili, M. Chkhaidze, Z. Berishvili, L. Mtsariashvili, I. Ambokadze.	Radon in Tap Water in the Territory of Tbilisi City. *In book* “Radon: Geology, Environmental Impact and Toxicity Concerns”; Chapter 7; Editor Audrey M. Stacks;	Series: Biochemistry Research Trends	Nova Science Publishers, Inc., Hauppauge, NY, USA	13
2	Elza Khutsishvili, Nunu Khutsishvili, Bela Kvirkvelia, George Kekelidze, Lali Nadiradze, Nodar Kekelidze	Electrical Properties and Crystal Perfection of the *n*-Type Si-rich SiGe Alloys Bulk Single Crystals**.** Journal of Electrical Engineering	vol.3, number 2, 2015	USA, David Publishing Company doi: 10.17265/2328-2223/2015.02.001	7
3	Nodar Kekelidze, Elza Khutsishvili, Bella Kvirkvelia, David Kekelidze, Vugar Aliyev and George Kekelidze	Transport Properties of InAs-InP Solid Solutions. Journal of Electrical Engineering 2 (2014)	Volume 2, #2,	USA, David Publishing Company. doi: 10.17265/2328-2223/2014.05.002	6

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. შესწავლილი იყო რადიოაქტიური აირის - Rn-222 შემცველობა წყალსადენის წყალში ქალაქის წყალმომარაგების სისტემაში საქართველოს დედაქალაქის - თბილისის სხვადასხვა ტერიტორიალ უბნებზე. გაანალიზებულია წყლის რესურსები, რომლებიც გამოყენებულია ქალაქის მოსახლეობის სასმელი წყლის უზრუნველყოფისთვის. ნაჩვენებია, რომ ამჟამად წყლის მიწოდება იწარმოება

ბუნებრივი წყლის 11 წყაროდან, რომლებიც შეიძლება გაყოფილ იქნას ორ პრინციპულად განსხვავებულ ჯგუფად - წყაროები, რომლებშიც გამოყენებულია მიწისქვეშა წყლები (ძირითადად ჭაბურღილებიდან) და წყაროები, რომლებშიც გამოყენებულია ზედაპირული წყლები (მდინარის და წყალსაცავის). წყლის ნიმუშები შერჩეული იყო ქალაქის ძირითად ტერიტორიალურ უბნებში განლაგებულ საცხოვრებელ სახლებში - სულ არჩეული იყო 52 ტერიტორიალური ერთეული. კვლევები ჩატარებული იყო 2013 წლის იანვარ-დეკემბრის პერიოდში. საკონტროლო პუნქტების საერთო რაოდენობამ შეადგინა 118 პუნქტი. შესადარებლად აღებულ იქნა ნიმუშები ახლო მდებარე დასახლებულ პუნქტებში (10 საკონტროლო პუნქტი). მრავალ საკომტროლო პუნქტში ნიმუშების აღება და რადონის შემცველობის კონტროლი ტარდებოდა ყოველთვიურად. რადონის შემცველობის განსაზღვრისთვის გამოყენებულ იქნა თანამედროვე რადონის დეტექტორი RAD7. დადგინდა, რომ რადონის შემცველობა წყალში მნიშვნელოვნად იცვლება როგორც აღების დროის მიხედვით (რაც დაკავშირებულია მომხმარებელთან წყლის მიწოდების სპეციფიკური პირობების შესაძლო ცვლილებებთან), აგრეთვე საკონტროლო პუნქტის განლაგების ტერიტორიის მიხედვით (რაც დაკავშირებულია გარკვეულ ტერიტორიაზე წყლის მიწოდებასთან უპირატესად ზედაპირულ წყაროებიდან - ამ შემთხვევაში ნიმუშების აქტივობა შეესაბამებოდა ჯგუფებს რადონის ძალიან დაბალი შემცველობით (<0.3 ბკ/ლ) და დაბალი შემცველობით (0.3-1.0 ბკ/ლ), ან მიწისქვეშა წყაროებიდან - ამ შემთხვევაში ნიმუშების აქტივობა შეესაბამებოდა ჯგუფებს რადონის ტიპიური შემცველობით (1.0-3.0 ბკ/ლ) და ტიპიურზე მაღალი შემცველობით (3.0-10.0 ბკ/ლ)). მიღებული მონაცემების საფუძველზე (700 შედეგებზე მეტი) გაფორმებულია სასმელი წყლის რადონის რუკა ქალაქის ტერიტორიაზე. ჩატარდა შედარება ლიტერატურულ მონაცემებთან, კერძოდ, აღნიშნულია, რომ მიღებული მნიშვნელობები არ აღემატებიან რეკომენდებულ საკონტროლო ნორმებს და არ წარმოადგენენ საშიშროებას მოსახლეობისთვის.

2. გამოკვლეულია Si-ით მდიდარ SiGe შენადნობთა არალეგირებული და *n*-ტიპის მინარევით ძლიერ ლეგირებული მოცულობითი მონოკრისტალების ელექტრული თვისებები და კრისტალური სრულყოფა. განხილულია Ge-ის ატომების და As-ით ლეგირების გავლენა SiGe შენადნობთა ელექტრულ თვისებებსა და კრისტალურ სრულყოფაზე 0-3 Ge-ის ატ%-ის შემადგენლობის არეში. დადგენილია, რომ დენის მატარებელთა ძვრადობა ძლიერ ლეგირებულ Si -ით მდიდარ SiGe შენადნობებში მნიშვნელოვნად მცირეა ვიდრე არალეგირებულ შენადნობებში. ძვრადობა არ არის დამოკიდებული Ge-ის კონცენტრაციაზე და განისაზღვრება დენის მატარებელთა გაბნევით მინარევის იონებზე. დადგენილია, რომ Ge-ის ატომები არ განაბნევენ როგორც ნეიტრალური ცენტრები. Ge-ის ატომებზე დენის მატარებელთა გაბნევასთან დაკავშირებული ძვრადობა შეიძლება ახსნილი იყოს „შენადნობის“ გაბნევით. გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ Ge-ისკონცენტრაციის გაზრდისას Si-ში დისლოკაციების სიმკვრივე იზრდება და იწვევს მათ ერთგვაროვან განაწილების დარღვევას. დისლოკაციების ერთგვაროვანი განაწილების დარღვევა იზრდება Ge-ის კონცენტრაციის გაზრდისას. დისლოკაციური სტრუქტურა არ მჟღავნდება ძლიერ ლეგირებულ n-ტიპის Si -ით მდიდარ SiGe შენადნობთა კრისტალებში. ამრიგად, ძლიერ ლეგირებულ As-ის

მინარევით SiGe შენადნობები მსგავსია ძლიერ ლეგირებული Si-ის კრისტალებისა.
3. შესწავლილ იქნა მუხტის გადამტანთა ელექტრული თვისებები *n*-ტიპის InAs -InP კრისტალებში. მყარი ხსნარები შესწავლილ იქნა დასხივებამდე და ელექტრონებით და ჩქარი ნეიტრონების მძლავრი ნაკადით დასხივების შემდეგ.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	N.Kekelidze, D.Kekelidze, E.Khutsishvili, B.Kvirkvelia, L.Nadiradze	The effect of mutual compensation of radiation donors and acceptors in semiconductors	The 2nd international conference: "Modern technologies and methods of inorganic materials science" April 20-24, 2015 in Tbilisi (Georgia).
2	Elza khutsishvili, Nunu Khutsishvili, Leonti Gabrichidze, Nodar Kekelidze Nana KobulaSvili	Effective segregation coefficient of microimpurities in Si obtained by Czochralski pulling directly from metallurgical Si melt	The 2nd international conference: "Modern technologies and methods of inorganic materials science" April 20-24, 2015 in Tbilisi (Georgia).
3	L.Nadiradze, N.Kekelidze, D.Kekelidze E.Khutsishvili, B.Kvirkvelia, G.Kekelidze	Investigation of Optical Absorption in III-V Compounds	International Conference on Advanced Materials and Technologies (ICAMT), Dedicated to the anniversary of foundation of Ilia Vekua Sukhumi Institute of Physics and Technology. 21-23 October, 2015, Tbilisi, Georgia.
4	N.Kekelidze, D.Kekelidze, E.Khutsishvili B.Kvirkvelia L.Nadiradze I.Ambokadze G.Kekeklidze	Technology for creation of radiation hard materials	International Conference on Advanced Materials and Technologies (ICAMT), 21-23 October, Dedicated to the anniversary of foundation of Ilia Vekua Sukhumi Institute of Physics and Technology. 21-23 October, 2015, Tbilisi, Georgia.
5	E. Khutsishvili, N.Khutsishvili, L.Gabrichidze, N.Kobulashvili,	“Removal of Impurities from Metallurgical Silicon”	International Conference on Advanced Materials and Technologies (ICAMT), 21-23 October, 2015, Tbilisi, Georgia

	N. Kekelidze		

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1. შესწავლილია რადიაციული დონორებისა და აქცეპტორების ურთიერთ კომპენსაციის გავლენა InAs-InP მყარ ხსნარების ელექტრულ თვისებებზე მაღალი დოზის დასხივების შემდეგ

2. წარმოდგენილია მავნე მინარევების განაწილების ეფექტური კოეფიციენტის გამოკვლევის შედეგები მეტალურგიული სილიციუმის ნადნობიდან ამოწევით მიღებულ სილიციუმის კრისტალში. გამოთვლილია მინარევების ეფექტური განაწილების კოეფიციენტი და დადგენილია მინარევის განაწილების კანონზომიერება სილიციუმის სხმულის სიგრძის გასწვრივ.

3. InAs, InP და მათ მყარ ხსნარებში გამოკვლეული იქნა ოპტიკური შთანთქმის კოეფიციენტის სიხშირეზე დამოკიდებულება, ფუნდამენტური შთანთქმის კიდის მახლობლად, ოთახისა და დაბალ ტემპერატურებზე. ექსპერიმენტები ჩატარდა ელექტრონებით და ჩქარი ნეიტრონებით დასხივებულ და დაუსხივებელ კრისტალებზე.

4. რადიაციული დონორებისა და აქცეპტორების ურთიერთკომპენსაციის ჩვენს მიერ აღმოჩენილი მოვლენის საფუძველზე დამუშავებულ იქნა III-V ტიპის რადიაციულად მდგრადი მასალების მიღების ტექნოლოგია. შექმნილ იქნა რადიაციულად მდგრადი ელექტრული და ოპტიკური მასალები, რომლებიც უძლებენ მაღალი დოზის ხისტ დასხივებას

5. ჩატარდა მეტალურგიული MG-Si (metallurgical-grade) KP-1 მარკის სილიციუმის 98 Si-ის წონ%-ით 2% არასასურველი Fe, Al, P, Ca, , Cu, Mg, Mn, Ni, Ti მინარევებისაგან გაწმენდა. სილიციუმში ძირითადი მინარევების საკმარისად მცირე განაწილების კოეფიციენტის (10^{-4}-10^{-6} რიგის) გამო მინარევებისაგან გაწმენდისათვის გამოყენებული იყო მეთოდი, რომელსაც საფუძვლად ედო ლითონური მინარევის სეგრეგაცია გამყარებისას: ნადნობიდან სილიციუმის ამოწევის ჩოხრალსკის მეთოდი. რენტგენოსპექტრული მიკროანალიზატორით და ემისიურ-სპექტრული ანალიზით შესწავლილია სილიციუმში ძირითადი დამაბინძურებელი მინარევების შემცველობა გაწმენდამდე და გაწმენდის შემდეგ და დადგენილია გაწმენდის ეფექტურობა. სილიციუმი გაიწმინდა უმრავლესი მინარევისაგან ეფექტურად ~99.99წონ%-მდე.

ინსტიტუტის თანამშრომლის ბელა კვირკველიას მიერ დაცულია სადოქტორო დისერტაცია: “A^3B^5 ტიპის ნახევარგამტარული შენაერთების და მათი მყარი ხსნარების ზოგიერთი ელექტრული თვისების გამოკვლევა დასხივებამდე და დასხივების შემდეგ“

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი 1/05.2012-ის საფუძველზე მასალათა კვლევის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტსა (დირექტორი ნ. კეკელიძე) და ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის

(დირექტორი გ.თავაძე) ნახევარგამტარული მასალათმცოდნეობის ლაბორატორიაში მიმდინარეობს ინტენსიური, ერთობლივი სამეცნიერო და საგანმანათლებლო სამუშაოები. მიღებულია მნიშვნელოვანი შედეგები.

IV. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ნახევარგამტარული ნაერთების მყარი ხსნარების ფუძეზე რადიაციულად მდგრადი ოპტიკური, ელექტრული და თერმოელექტრული მასალების მიღება და გამოკვლევა. მეცნიერების დარგი და სამეცნიერო მიმართულება: ნახევარგამტარული მასალათმცოდნეობა	პროფესორი ნოდარ კეკელიძე	რაზმაძე რ. ფულარიანი ი. გაბრიჭიძე ლ. ხუციშვილი ე. კერესელიძე მ. ქობულაშვილი ნ კვირკველია ბ.

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

1. განხორციელებულია III-V ნახევარგამტარული ნაერთების მყარი ხსნარების მიღების ტექნოლოგიური და ფიზიკური პროცესების თეორიული განხილვა.
2. დამუშავდა რადიაციულად ოპტიკური მასალების მიღების ტექნოლოგია ჩოხრალსკის მეთოდით.
3. დამუშავდა რადიაციულად მდგრადი ელექტრული და თერმოელექტრული მასალების მიღების ტექნოლოგია.
4. დაპროექტდა და აეწყო ჰომოგენური III-V ნახევარგამტარული ნაერთების მყარი ხსნარების კრისტალების მისაღები ზონური დნობით დანადგარი.
5.შესწავლილია მიღებული მყარი ხსნარების კრისტალების ელექტრული თვისებები დასხივებამდე ტემპერატურულ ინტერვალში (80-300K).

გამოყენებითი ნახევრადგამტარული ტექნოლოგიებისსამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 2014 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ანგარიში

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: დოქტორი ზაური ჭახნაკია

  ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე: კახა ჩიტაია

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა

1. სამეცნიერო განყოფილება – სამეცნიერო საწარმოო კომპლექსი (სსკ) "ელექტრონული ტექნიკა"

№	სახელი, გვარი	აკად. ხარისხი	თანამდებობა	კვლევების მიმართულება
1	ნინა ხუჭუა	ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი	განყოფილების გამგე	კვლევების საერთო ხელმძღვანელობა და შედეგების ანალიზი
2	რევაზ მელქაძე	დოქტორი	მთავარი მეცნიერ თანამშრომელი	ახალი ნ/გ მასალების ტექნოლოგიის დამუშავება და კვლევა
3	ალბერტ ტუტუნჯიანი	დოქტორი	მთავარი მეცნიერ თანამშრომელი	ტექნოლოგიური კვლევების ჩატარება და შედეგების ანალიზი
4	მარინა ტიგიშვილი	დოქტორი	უფროსი მეცნიერ თანამშრომელი	იონური იმპლანტაციის ტექნოლოგიის დამუშავება
5	ტატიანა სახაროვა	დოქტორი	უფროსი მეცნიერ თანამშრომელი	ფოტოლიტოგრაფია და ქიმიური ტექნოლოგიის დამუშავება
6	გივი კალანდაძე	მაგისტრი	უფროსი მეცნიერ თანამშრომელი	მეტალების და დიელექტრიკების დაფენის ტექნოლოგიის დამუშავება
7	ლერი სანიკიძე	მაგისტრი	მეცნიერ თანამშრომელი	მეტალების და დიელექტრიკების და ფენის ტექნოლოგიის დამუშავება

2. ელექტრონული და ელექტრომექანიკური სისტემების კვლევის განყოფილება

№	სახელი, გვარი	აკად. ხარისხი	თანამდებობა	კვლევების მიმართულება
1	გივი დიდებაშვილი	მაგისტრი	განყოფილების გამგე	კვლევების საერთო ხელმძღვანელობა და შედეგების ანალიზი
2	გურამ ძულიაშვილი	მაგისტრი	უფროსი მეცნიერ თანამშრომელი	პროგრამისტი, კომპიუტერული უზრუნველყოფა
3	ნოდარ უშვერიძე	მაგისტრი	მეცნიერ თანამშრომელი	ელექტრონული მოწყობილობების პროექტირება და ტესტირება

4	თამილა ხელაშვილი	მაგისტრი	მეცნიერ თანამშრომელი	ნ/გ მასალების კვლევა, საკონსტრუქტურო და ტექნოლოგიური დოკუმენტაციის დამუშავება

3. ფოტონებით და რადიაციით სტიმულირებული ტექნოლოგიების განყოფილება

№	სახელი, გვარი	აკად. ხარისხი	თანამდებობა	კვლევების მიმართულება
1	ზურაბ ჯიბუტი	ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი	განყოფილების გამგე	კვლევების საერთო ხელმძღვანელობა და შედეგების ანალიზი
2	ნუგზარ დოლიძე	ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი	მთავარი მეცნიერ თანამშრომელი	სტიმულირებული ტექნოლოგიების დამუშავება და კვლევა
3	ზურაბ კაპანაძე	დოქტორი	უფროსი მეცნიერ თანამშრომელი	ნ/გ მასალების ოპტიკური პარამეტრების კვლევა

III.1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის
დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
(ეხება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

II. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული

სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1				
დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

III. 4.

2	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	რ. მელქაძე, ა. დიდებაშვილი, გ. კალანდაძე, გ. ფერაძე, თ. მაკალათია, ზ. ჭახანაკია, კ. ჩიტაია	Технология получения п/п наногетероструктур GaAs/AlGaAs GaAs/AlGaAs/InGaAs	არაორგანული მასალათმცოდნეობის თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდები 20-24 აპრილი, თბილისი	7
მონოგრაფაიში დეტალურად არის განხილული ნახევრადგამტარული ნანოჰეტეროსტრუქტურების ტექნოლოგიის მიღების დეტალები მოლეკულურ-სხივური ეპიტაქსიის მეთოდით და მათი ელექტროფიზიკური პარამეტრების კვლევა. ანოტაციები ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ-ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	М.Тигишвили, Н.Хучуа, Р.Мелкадзе, Н. Долидзе, Н.Гапишвили, З. Джибути, Г. Довбешко, В.Романюк	Полупроводниковый материал с новыми оптическими свойствами для фотодетекторов инфракрасной и ультрафиолетовой областей спектра	2nd International Conference MODERN TECHNOLOGIES AND METHODS OF INORGANIC MATERIALS SCIENCE Proceedings, 2015	თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა	288-295
2	Н.Долидзе, З.Джибути, М.Тигишвили, Н.Хучуа, Р.Мелкадзе, Н.Гапишвили,	Влияние спектрального состава на фотоэлектрические свойства ионнолегированного кремния	ADVANCED MATERIALS AND TECHNOLOGIES Proceedings (2015)	თბილისი, “უნივერსალი”	63-67
3	А.Тутунджян	Полупроводниковые структуры для низкотемпературных переключателей на основ германия, легированого многозарядной примесью золота и сурьмой	ADVANCED MATERIALS AND TECHNOLOGIES Proceedings (2015)	თბილისი, “უნივერსალი”	79-82
1. ფუნდამენტური ოპტიკური თვისებების მიზანმიმართული მოდიფიცირების მიზნით n-ტიპის სილიციუმის ფირფიტაში იმპლანტირებულ იქნა ბორის იონები სხვადასხვა დოზით, შემდგომი გამოწვით. მიღებული p-n სტრუქტურები შესწავლილია რამან-სპექტროსკოპიის მეთოდით. მიღებული შედეგების შედარებამ მასალის ფოტომგრძნობელობის სპექტრებთან ინფრაწითელ დიაპაზონში (1.4-2.0 მკმ), საშუალება მოგვცა დაზუსტდეს წარმოდგენები მასალის თვისებებზე და სხვადასხვა ტიპის დეფექტების გავლენა მის ოპტიკურ მახასიათებლებზე. მიღებულია ახალი მონაცემები სტრუქტურების ქცევის შესახებ სპექტრის					

ულტრაიისფერ უბანში.

2. ნაშრომის მიზანია სილიციუმის ოპტიკური თვისებების კონტროლირებული შეცვლა დეფექტწარმოქმნის ხარჯზე ნახევარგამტარის ბორის იონებით ლეგირებისას. p-n-Si:B სტრუქტურები მიღებულია იონების ლეგირებით სხვადასხვა დოზების ($1x10^{13}$ – $1x10^{15}$ სმ$^{-2}$) და ენერგიების 32 და 50 კევ საშუალებით. ლეგირების შემდგომი გამოწვა ტარდებოდა ორ ტემპერატურაზე – 900 და 1000^{0}C. ოპტიკური ფილტრების სისტემით აღჭურვილ ორიგინალურ ოპტიკურ დანადგარზე იზომებოდა p-n-Si:B–ის ფოტომგრძნობელობის სინათლის სპექტრულ შედგენილობაზე დამოკიდებულება 350–4100 ნმ დიაპაზონში. მიღებულია ახალი საინტერესო მონაცემები ფოტომგრძნობელობაზე სპექტრული შედგენილობის გავლენის შესახებ.

3. გამოკვლეულია ნახევარგამტარული სტრუქტურების შექმნის შესაძლებლობა დაბალტემპერატურული გადამრთველებისათვის გამტარობის კომუტაციის ეფექტის საფუძველზე მინარევული გარღვევის დროს გერმანიუმში ლეგირებული მრავალმუხტიანი ოქროს და სტიბიუმის მინარევით.

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნა-ლის/კრებუ-ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Nina Khuchua, Revaz Melkadze, Aleksandre Moseshvili, Kakha Chitaia, Giorgi Melikidze	New-Type Solar Concentrator Concept – Approach to Reduced-Cost CPV Module Technology	DOI: 10.1109/PVSC.2015.7355765	New Orlean, USA 42nd Photovoltaic Specialist IEEE Conference Publications	Pages: 1 - 6
2	Nina Khuchua, Marina Tigishvili, Revaz Melkadze, Nugzar Dolidze, Nodar Gapishvili, Zurab Jibuti, Galina Dovbeshko, Vladimir Romanyuk	Defect formation in ion- implanted Si-approach to controlled semiconductor optical properties	Solid State Phenomena Vol. 242 (2016)	Germany Trans Tech Publications Ltd	pp. 374-379.

1. სამუშაოში განხილულია ახალი ტიპის მზის ენერგეტიკის გამოყენების ოპტიკური კონცენტრატორის ოპტიმიზირებული ვარიანტი. თეორიული და ნაწილობრივ ექსპერიმენტული კვლევები ადასტურებენ, რომ გარდა მთელი რიგი უთუო განსხვავებისა (მზის ენერგიის მაღალი კონცენტრაცია, მოდულის მაღალი მ.ქ.კ., კონცენტრირებული გამოსხივების ერთგვაროვანი განაწილება მზის ელემენტის ზედაპირზე და სხვა), ინოვაციას გააჩნია ორი არსებითი უპირატესობა: ბატარეის ღირებულების შემცირების შესაძლებლობა დაახლოებით 20 პროცენტამდე; CPV მოდულის გამოყენების შესაძლებლობა ელექტროენერგიის ლოკალური წყაროების სახით განსაკუთრებით ძნელად მისადგომ რაიონებში.
2. სილიციუმის ფუნდამენტალური ოპტიკური თვისებების მიაზანდასახული მოდიფიკაციისთვის აღნიშნულ n-ტიპის ფირებში ხდებოდა ბორის იონების იმპლანტაცია სხვადასხვა დოზით შემდგომი გამოწვით. მიღებული p-n

სტრუქტურები გამოკვლეული იყო ინფრაწითელი და რამან სპექტროსკოპიის მეთოდებით. რამან სპექტრებით მიღებული მონაცემები შედარდა მასალის ფოტომგრძნობიარობის სპექტრებთან 1.4-2.0 მკმ ტალღის სიგრძის დიაპაზონში. ამ კვლევებმა მოგვცა მასალის ოპტიკურ თვისებებზე სხვადასხვა ტიპის დეფექტების გავლენის მექანიზმის დაზუსტების შესაძლებლობა. მიღებულ იქნა მონაცემები სტრუქტურების გამოხმაურებაზე ულტრაიისფერი დიაპაზონის სიგნალების დასხივების შემთხვევაში.

ანოტაციები ქართულ ენაზე

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	М.Тигишвили	Полупроводниковый материал с новыми оптическими свойствами для фотодетекторов инфракрасной и ультрафиолетовой областей спектра	2nd International Conference MODERN TECHNOLOGIES AND METHODS OF INORGANIC MATERIALS SCIENCE 20-24 April 2015, Tbilisi, Georgia.
2	Н.Долидзе.	Влияние спектрального состава на фотоэлектрические свойства ионнолегированного кремния	ADVANCED MATERIALS AND TECHNOLOGIES 21-23 October, 2015 , Tbilisi, Georgia.
3	А.Тутунджян	Полупроводниковые структуры для низкотемпературных переключателей на основ германия, легированого многозарядной примесью золота и сурьмой	ADVANCED MATERIALS AND TECHNOLOGIES 21-23 October, 2015 , Tbilisi, Georgia.
4	2. **Н.Долидзе** А.Бибилашвили, Р.Гуляев, Г.Схиладзе, З.Джибути ,	Низкотемпературный метод получения наноплёнок GaN	Proc. of International Conference “Advanced Materials and Technologies”, Tbilisi, 2015, pp 200-204
5	**З.Джибути**, Д.Дараселия, Д.Джапаридзе, А.Шенгелая	Оригинальная технология быстрого синтеза с помощью фотонного облучения для современных материалов	Proc. of International Conference “Advanced Materials and Technologies”, Tbilisi, 2015, pp 47-51

1. ფუნდამენტური ოპტიკური თვისებების მიზანმიმართული მოდიფიცირების მიზნით n-ტიპის სილიციუმის ფირფიტაში იმპლანტირებულ იქნა ბორის იონები სხვადასხვა დოზით, შემდგომი გამოწვით. მიღებული p-n სტრუქტურები შესწავლილია რამან-სპექტროსკოპიის მეთოდით. მიღებული შედეგების შედარებამ მასალის ფოტომგრძნობელობის სპექტრებთან ინფრაწითელ დიაპაზონში (1.4-2.0 მკმ), საშუალება მოგვცა დაზუსტდეს წარმოდგენები მასალის თვისებებზე და სხვადასხვა ტიპის დეფექტების გავლენა მის ოპტიკურ მახასიათებლებზე. მიღებულია ახალი მონაცემები სტრუქტურების ქცევის შესახებ სპექტრის ულტრაიისფერ უბანში.

2. ნაშრომის მიზანია სილიციუმის ოპტიკური თვისებების კონტროლირებული შეცვლა დეფექტწარმოქმნის ხარჯზე ნახევარგამტარის ბორის იონებით ლეგირებისას. p-n-Si:B სტრუქტურები მიღებულია იონების სხვადასხვა დოზების ($1x10^{13}$ – $1x10^{15}$სმ^2) და ენერგიების 32 და 50 კევ საშუალებით. ლეგირების შემდგომი გამოწვა ტარდებოდა ორ ტემპერატურაზე – 900 და 1000^0C. ოპტიკური ფილტრების სისტემით აღჭურვილ ორიგინალურ ოპტიკურ დანადგარზე იზომებოდა p-n-Si:B–ის ფოტომგრძნობელობის სინათლის სპექტრულ შედგენილობაზე დამოკიდებულება 350–4100 ნმ დიაპაზონში. მიღებულია ახალი საინტერესო მონაცემები ფოტომგრძნობელობაზე სპექტრული შედგენილობის გავლენის შესახებ.

3. გამოკვლეულია ნახევარგამტარული სტრუქტურების შექმნის შესაძლებლობა დაბალტემპერატურული გადამრთველებისათვის გამტარობის კომუტაციის ეფექტის საფუძველზე მინარევული გარღვევის დროს გერმანიუმში ლეგირებული მრავალმუხტიანი ოქროს და სტიბიუმის მინარევით.

4. GaN–ის თხელი ფირების მიღება დაკავშირებულია მთელ რიგ ტექნოლოგიურ პრობლემებთან, როგორიცაა მაღალი ტემპერატურები, თანმდევი უარყოფითი მოვლენებით. ამიტომ ფორმირების ტემპერატურის დაწევა მაღალი ხარისხის ფირების მიღების ერთ–ერთი მნიშვნელოვანი გზაა. ნაშრომში ნაჩვენებია ფორმირების ტემპერატურის დაწევის შესაძლებლობა კატალიზური პლაზმური ანოდირებისა და იმპულსური ფოტონური გამოწვის მეთოდების საშუალებით. მოცემულია მიღებული ნანოფირების ელექტროფიზიკური და ოპტიკური მახასიათებლების გაზომვის შედეგები.

5. GaN–ის თხელი ფირების მიღება დაკავშირებულია მთელ რიგ ტექნოლოგიურ პრობლემებთან, როგორიცაა მაღალი ტემპერატურები, თანმდევი უარყოფითი მოვლენებით. ამიტომ ფორმირების ტემპერატურის დაწევა მაღალი ხარისხის ფირების მიღების ერთ–ერთი მნიშვნელოვანი გზაა. ნაშრომში ნაჩვენებია ფორმირების ტემპერატურის დაწევის შესაძლებლობა კატალიზური პლაზმური ანოდირებისა და იმპულსური ფოტონური გამოწვის მეთოდების საშუალებით. მოცემულია მიღებული ნანოფირების ელექტროფიზიკური და ოპტიკური მახასიათებლების გაზომვის შედეგები.

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1	Nina Khuchua	Novel Optical Solar Concentrator for Reduced-Cost CPV System	4th International Conference & Exhibition "Development of Solar Energy Industry in the Region of TH South Caucasus, EAST ERWE CISOLAR 2015, Azerbaijan, Baku, 16-17 April 2015
2	Nina Khuchua	New-Type Solar Concentrator Concept – Approach to Reduced-Cost CPV Module Technology	42dd IEEE Photovoltaic Specialist Conference, New Orleans, LA, USA, June 14-19, 2015
3	Nina Khuchua	Defect formation in ion-implanted Si-approach to controlled semiconductor optical properties	GETTERING AND DEFECTS ENGINEERING IN SEMICONDUCTOR TECHNOLOGY, GADEST , Bad Staffelstein, Germany, 20-25 September 2015
4	E.F.Bobrova, A.V.Leonov, V.N.Mordkovich, A.P.Bibilashvili, N.D.Dolidze, K.D.Shcherbachev.	Influence of Chemical Nature of Implanted Ions on a Formation of Radiation Defects in Si	Proceeding of XXII International Conference "Ion-Surface Interactions – 2015" (ISI-2015) , Moscow, Russian, v.2, p. 105-108.
5	R. Melkadze, A. Didebashvili, G. Kalandadze, G. Peradze, T. Makalatia, Z. Chaknakia, K. Chitaia	Nanostructures for X-Ray Sensors	33 ISTC-Korea Workshop "Nanocon 2015" November 3-5, 2015, South Korea, Seoul

1. გაანალიზირებულია ვითარება კონცენტრირებული ფოტოვოლტაიკის (CPV) ბაზარზე, როგორც მზის ენერგეტიკის საერთო ბაზრის ნაწილზე. ნაჩვენებია რომ მოცემული ინოვაცია ხელს უწყობს შემოთავაზებული ოპტიკური კონცენტრატორის საფუძველზე CPV სისტემების ღირებულების შემცირებას.
2. წარმოდგენილია ახალი ტიპის მზის ენერგიის ოპტიკური კონცენტრატორის კონსტრუქციის და აქედან გამომდინარე მისი პარამეტრების ოპტიმიზაციის შედეგები. დასაბუთებულია ინოვაციის მთელი რიგი უპირატესობები მიწისზედა გამოყენებისთვის.
3. სამუშაოში აღწერილია ბორის იონური ლეგირებით და შემდგომი გამოწვით მიღებული მოდიფიცირებული სილიციუმის ტექნოლოგია და მისი თვისებების ყოველმხრივი კვლების შედეგები.
4. ნახევარგამტარების მოდიფიკაციის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი მეთოდია იონური იმპლანტირება, რომელიც ფართოდ გამოიყენება მიკროელექტრონიკაში. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ იონური იმპლანტირებისას სილიციუმის კრისტალურ მესერში დეფექტწარმოქმნა დამოკიდებულია არა მხოლოდ ლეგირების დოზაზე, როგორც ადრე ითვლებოდა, არამედ იმპლანტირებული მინარევის ქიმიურ ბუნებაზე. გამოთქმულია მოსაზრება ამ ეფექტის შესაძლო მექანიზმის შესახებ.
5. სამუშაოში აღწერილია ნანოსტრუქტურების მიღების ტექნოლოგიური ნიუანსები

რენტგენული სენსორული მოწყობილობების დასამუშავებლად

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	p-Si –ში თხელი p – n გადასასვლელების მიღება ფოსფორის ფოტოსტიმულირებული დიფუზიის საშუალებით. ნახევარგამტარების ფიზიკა, მიკრო და ნანოელექტრონიკა.	ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი ზურაბ ჯიბუტი	ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი ნუგზარ დოლიძე დოქტორი ზურაბ კაპანაძე	

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

როგორც ცნობილია, ნახევარგამტარების ბაზაზე შექმნილი, სხვადასხვა ტიპის მაიონიზირებელი გამოსხივების ელექტრულ სიგნალად გარდამქმნელი სენსორების შექმნისას ძირითად ტექნოლოგიურ პროცესს წარმოადგენს p-n გადასასვლელების და ომური კონტაქტების ფორმირება. ჩვენს მიერ ჩატარებულმა წინსწარმა კვლევებმა აჩვენა, რომ ტრადიციული მაღალტემპერატურული დიფუზიური პროცესების (რომლებიც, ძირითადად ღუმელებში და ვაკუუმში ტარდება) შეცვლა იმპულსურ-ფოტონური დასხივებით (ტარდება ჰაერზე, ჩვენს მიერ შექმნილ ორიგინალურ დანადგარებზე) საშუალებას იძლევა ეფექტურად განხორციელდეს აღნიშნული პროცესი. შედეგად, იაფი ტექნოლოგიით, მიღებულ იქნება Si-ის ბაზაზე ფორმირებული მაღალხარისხოვანი p-n გადასასვლელები, შემდგომ სხვადასხვა დანიშნულების მქონე სენსორების მისაღებად.

რისთვისაც ჩატარდა რიგი სამუშაოებისა, კერძოდ:

- ფოტონური ზემოქმედების სპექტრალური შემადგენლობის როლის დადგენა p-ტიპის Si -ში ფოსფორის დიფუზიის პროცესზე.
- ფოტონური ზემოქმედების ხანგრძლივობის როლის დადგენა p-ტიპის Si -ში ფოსფორის დიფუზიის პროცესზე.
- ფოტონური ზემოქმედების თანმდევი ტემპერატურული ფაქტორის წვლილის დადგენა p-ტიპის Si -ში ფოსფორის დიფუზიის პროცესზე.
- ფოტონური ზემოქმედების სიმძლავრის სიმკვრივის როლის დადგენა p-ტიპის Si -ში ფოსფორის დიფუზიის პროცესზე.
- ადიტიურობის ეფექტის შესწავლა p-ტიპის Si -ში ფოსფორის დიფუზიის პროცესში.
- ფოტოსტიმულირებული დიფუზიური პროცესის მიმდინარეობის ფიზიკური მექანიზმების შესწავლა.

მოცემულ პროექტში შემუშავებულ იქნა p ტიპის სილიციუმზე p-n გადასასვლელის ფორმირების ოპტიმალური ტექნოლოგიური მარშრუტი.
აქვე უნდა აღინიშნოს, რომ p-Si-ში ფოსფორის ფოტოსტიმულირებული დიფუზიური პროცესების შესწავლისას, როდესაც მიღებული იყო p-n გადასასვლელები და ტარდებოდა ამ სტრუქტურების ოპტიკური თვისებების შესწავლა განსაკუთრებული ყურადღება მიექცა იმ ფაქტს, რომ როდესაც ვსაუბრობთ მონოქრომატორზე გადაღებულ ნახევარგამტარული სტრუქტურების ფოტომგრძნობიარობის სპექტრალურ დამოკიდებულებაზე, მიღებული ინფორმაცია არ ასახავს იმ რეალობას რომელშიდაც მუშაობს ამ სტრუქტურების ბაზაზე შექმნილი დეტექტორები. იგულისხმება ის ფაქტი, რომ ელექტრომაგნიტური გამოსხივების სხვადასხვა ტალღის სიგრძეების ერთდროულად ზემოქმედებისას თითოეული ტალღის სიგრძის ეფექტურობა არ აღმოჩნდა არითმეტიკული ჯამი ცალკეული ტალღის სიგრძის ეფექტურობის. უფრო მეტიც, აღმოჩნდა, რომ ფოტომგრძნობიარე სტრუქტურებზე სინათლის ფართო სპექტრით (პაკეტით) დასხივებისას რიგ შემთხვევებში დაიმზირა ფოტომგრძნობიარობის შესუსტებაც კი.

აღნიშნული კვლევების ჩატარების საშუალება მოგვცა ჩვენს მიერ შექმნილმა ორიგინალურმა ოპტიკურმა ხელსაწყომ, რომელსაც „პოლიქრომატორი“ ეწოდა.

დღეისათვის შექმნილია აღნიშნული ხელსაწყოს ლაბორატორიული ვარიანტი.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
2	Al2O3 –ის ქვესაფენზე დაფენილი ამორფული Si-ის ნანოფირების ფოტოსტიმულირებული კრისტალიზაციის პროცესის შეწავლა. ნახევარგამტარების ფიზიკა, მიკრო და ნანოელექტრონიკა.	ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი ზურაბ ჯიბუტი	ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი ნუგზარ დოლიძე დოქტორი ზურაბ კაპანაძე	

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

2. ნანოელექტრონიკა თანამედროვე მეცნიერების და ტექნიკის ერთ–ერთი ყველაზე პერსპექტიული დარგია, ამითაა განპირობებული მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში მეცნიერთა დიდი დაინტერესება ნანომეტრული სისქის Si–ის ფირების კრისტალიზაციის პრობლემით. მათი აზრით ამორფული Si–ის თხელი ფირების კრისტალიზაციის პროცესი აქტუალური ტექნოლოგიური და ფუნდამენტური ამოცანაა.

აღნიშნული პროექტის მიზანია Al2O3–ის ქვესაფენზე Si–ის ნანოზომების პოლიკრისტალური ფირების მიღება და მონოკრისტალური ფირების მიღების შესაძლებლობების შეფასება–შესწავლა. რისთვისაც ჩატარდა რიგი სამუშაოებისა, კერძოდ:

ფოტონური ზემოქმედების სპექტრალური შემადგენლობის როლის დადგენა ამორფული Si–ის ნანოფირების კრისტალიზაციის პროცესზე;

ფოტონური ზემოქმედების ხანგრძლივობის როლის დადგენა ამორფული Si–ის კრისტალიზაციის პროცესზე;
ფოტონური ზემოქმედების თანმდევი ტემპერატურული ფაქტორის წვლილის დადგენა ამორფული Si–ის კრისტალიზაციის პროცესზე;
ადიტიურობის ეფექტის შესწავლა ამორფული Si–ის ფოტოსტიმულირებული კრისტალიზაციის პროცესში;
ამორფული Si–ის ფოტოსტიმულირებული კრისტალიზაციის რეჟიმების ფირის სისქეზე დამოკიდებულების დადგენა;
ექსპერიმენტებმა გვიჩვენა, რომ ფოტონური დასხივების რეჟიმების შერჩევის გზით შესაძლებელია ამორფული Si-ის პოლიკრისტალურ მდგომარეობაში გადაყვანა.
ფოტონური დასხივების რეჟიმები საგრძნობლადაა დამოკიდებული Si-ის ფირის სისქეზე. ფირის სისქის შემცირებისას კრისტალიზაციის პროცესის ეფექტურობის განმსაზღვრელი დასხივების სპექტრალური არე ინაცვლებს მოკლეტალღოვანი უბნისკენ. საჭირო ხდება მეტი სიმძლავრითა და ხანგრძლივობით დასხივება. მაგალითად, ოპტიმალური რეჟიმი 50 ნმ სისქის ამორფული Si-ის ფირების პოლიკრისტალურ მდგომარეობაში გადასაყვანად არის დასხივების: დრო-20 წმ; სიმძლავრის სიმკვრივე 375 ვტ/სმ^2; ნიმუშის ტემპერატურა 1010^{o}C.
შედეგად დადგენილ იქნა Al2O3–ის ქვესაფენზე Si–ის პოლიკრისტალური ნანოფირების მიღების ოპტიმალურიტექნოლოგიური რეჟიმები და მიღებულ იქნა 50 – 500ნმ სისქის პოლიკრისტალური ფირები .
გაკეთებულ იქნა დასკვნა, რომ Al2O3 –ის ქვესაფენზე დაფენილი ამორფული Si–ის ნანოფირების გადაყვანა მონოკრისტალურში შესაძლებელია ლაზერული ზემოქმედებით, ხოლო არამონოქრომატული სინათლით დასხივების შემთხვევაში მძლავრი (კილოვატების სიმძლავრის) იმპულსური(მილიწამები) ნათურების (მაგ. ქსენონის) გამოსხივების საშუალებით.
შემოთავაზებულია ნახევარგამტარების ფოტოსტიმულირებული დნობა-კრისტალიზაციის პროცესის ორიგინალური ფიზიკური მოდელი.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
3	მოლეკულურ-სხივური ეპიტაქსიით A3B5 ნახევრადგამტარული მასალების მიღების ტექნოლოგია	დოქტორი რევაზ მელქაძე	დოქტორი ზაური ჭახნაკია დოქტორი მარინა ტიგიშვილი თ. ხელაშვილი გ. დიდებაშვილი გ. კალანდაძე	

კვლევითი თემატიკა ეხება მოლეკულურ-სხივური ეპიტაქსიის (მსე) მეთოდით A3B5 ნახევრადგამტარული მასალების მიღების ტექნოლოგიას. პროექტში გათვალისწინებულია მსე მეთოდით ამ სტრუქტურების მიღების ტექნოლოგიური პროცესების დამუშავება და მათ საფუძველზე მაიონებელი გამოსხივების მიმართ მდგრადი და ამასთანავე მგრძნობიარე ნახევრადგამტარული მასალების შექმნა.
2015 წელს დამუშავდა GaAs/AlGaAs/InGaAs ჰეტეროსტრუქტურების მიღების ტექნოლოგია და 2016 წელს გათვალისწინებულია სხვა ტიპის ჰეტეროსტრუქტურების

ტექნოლოგიური პროცესების დამუშავება და მათ საფუძველზე მიკრო, ნანო ხელსაწყოების და ფოტოდეტექტორების და მატრიცული ელემენტების დამუშავება.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

IV. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	ახალი ტიპის მაღალი ეფექტურობის მქონე მზის კონცენტრატორის კონცეფცია – მიდგომა, რომელიც ამცირებს CPV მოდულის ტექნოლოგიის ღირებულებას სხვადასხვა მიწისზედა გომეყენებისთვის	ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი ნინა ხუჭუა	დოქტორი რევაზ მელქაძე კახა ჩიტაია, ალექსანდრე მოსეშვილი	–
2	ნახევრადგამტარული ფოტოდეტექტორების ტექნოლოგიის კვლევა და დამუშავება მოდიფიცირებული სილიციუმის (მიკრო და ნანოელექტრონიკის ინსტიტუტთან ერთად)	დოქტორი მარინა ტიგიშვილი	ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი ნინა ხუჭუა დოქტორი რევაზ მელქაძე დოქტორი ალბერტ ტუტუნჯიანი დოქტორი ტატიანა სახაროვა გივი კალანდაძე ლერი სანიკიძე	–

1. პროექტის შესრულების ამ ეტაპზე ოპტიმიზირებულია ახალი ტიპის ოპტიკური კონცენტრატორის კონსტრუქციის თეორიული გათვლები. გათვალისწინებულია პროექტში წარმოდგენილი წინადადებები, რომლებიც ხელმოწერილია როგორც საქართველოს მხარის (თსუ, SolConEnergy Ltd.), ასევე გერმანული მხარის (მზის ენერგეტიკის ფრაუნჰოფერის ინსტიტუტი, ქ. ფრაიბურგი და INOLITE GmbH, ააჰენი).
2. წარმოდგენილი კვლევა არის საერთო პრობლემის გადაწყვეტის მნიშვნელოვანი ეტაპი – ახლო ინფრაწითელი და ულტრაიისფერი დიაპაზონის ფოტოდეტექტორების დამუშავება მოდიფიცირებული სილიციუმის საფუძველზე. სილიციუმის ფუნდამენტური ოპტიკური თვისებების მოდიფიკაცია მოცემულ შემთხვევაში მიღწეულ იქნა n-Si-ში ბორის იონების იმპლანტაციის შედეგად მისი შემდგომი გამოწვის მეთოდების გამოყენებით. ნაჩვენები იქნა, რომ იონურად

ლეგირებული სილიციუმის p-n სტრუქტურები გამოირჩევიან ფოტოგამოხმაურებით 1.4-2.0 და 0.25-0.4 მკმ ტალღის სიგრძის დიაპაზონში.
შემოთავაზებულია p-n-Si-ის თვისებების ოპტიკური მექანიზმის შეცვლა, რომელიც გამოწვეულია გამჭოლი დეფექტების წარმოქმნით იმპლანტაციის და შემდგომი გამოწვის შედეგად.
შექმნილია წინაპირობები ამ მასალის საფუძველზე მატრიცის დამუშავებისთვის.

ინტერდისციპლინური მათემატიკა კომპიუტერული მეცნიერებები

რიცხვითი ანალიზისა და გამოთვლითი ტექნოლოგიების კათედრა

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი **პროფესორი რამაზ ბოჭორიშვილი**

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა
1. ასოცირებული პროფესორი ჯემალ როგავა
2. ასოცირებული პროფესორი გია ავალიშვილი
3. ასოცირებული პროფესორი ჯემალ ფერაძე
4. ასისტენტ პროფესორი თინათინ დავითაშვილი
5. ასისტენტ პროფესორი არჩილ პაპუკაშილი

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2. 3.	რ.ბოჭორიშვილი, ჰ.ელბერნი, ა.დოლიძე, მ.ლაბაძე. რ.ბოჭორიშვილი. რ.ბოჭორიშვილი.	1. სასრულ მოცულობათა მულტისქემა სივრცით ორ განზომილებიანი წრფივი ადვექციის განტოლებისთვის 2. Recent developments in numerical methods for linear advection, its adjoint and their application in atmospheric simulations 3. Examples of Numerical Techniques for Environmental Simulation	1. 02.2015, მესამე საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში,თსუ, თბილისი 2. 09.2015, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი ვორკშოფი ნანოტექნოლოგიებსა და გარემოს დაცვაში, თბილისი 3. 5-7.11.2015, გისენის უნივერსიტეტის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ

			ორგანიზებული Network conference , თბილისი
1. განხილული იქნა პირველი და მერე რიგის სქემების და ორი განსხვავებული ბადის დაწყვილებით მიღებული მულტისქემები არასტაციონალური სივრცით ორ განზომილებიანი წრფივი ადვექციის განტოლებისთვის მართკუთხედზე. ოყვანილი იქნა თეორიული და რიცხვითი შედეგები. 2. განხილული იქნა ბოლო წლებში ატმოსფეროში გაჭუჭყიანების სიმულაციისთვის შექმნილი და გამოყენებული რიცხვითი მეთოდები სიბრტყეში და სფეროს ზედაპირზე. 3. მოცემული იქნა მათემატიკური მოდელირების და კომპიუტერული სიმულაციის გამოყენების მაგალითები ეკოლოგიაში.			

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2	R.Botchorishvili, A.Dolidze, M.Labadze R.Botchorishvili	1. On adjoint and mesh refinement for linear advection equation 2. On Coupling of Numerical Schemes and Meshes	1. 29.08.2015, კლიმატისა და ენერგიის ინსტიტუტის სემინარი, იულიხის კვლევითი ცენტრი, გერმანია 2. 26-27.10.2015, ევოლუციური ამოცანების რიცხვითი მოდელირება: პერსპექტივა და გამოყენებები სალერნოს უნივერსიტეტი, იტალია
1. განხილული იქნა კერძო შემთხვევაში მულტისქემის კრებადობა მართკუთხა ბადეზე, ბადის გახშირების მეთოდების ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა, მოცემული იქნა ტესტური ამოცანების თვლის შედეგები მონაცემთა ასიმილაციის კონტექსტში, წარმდგენილი იქნა ახალი ტესტური ამოცანა, ჩამოყალიბდა შეუღლებული ამოცანის ამოხსნის ახალი მიდგომა 2. მოცემული იქნა ბოლო წლების განმავლობაში მიღებული შედეგები მულტისქემებთან დაკავშირებით, განხილული იქნა არსებული და პოტენციური გამოყენების სფეროები			

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	მულტისქემები სივრცით ორ განზომილებაში	რ.ბოჭორიშვილი	ა.დოლიძე, მ.ლაბაძე, თ.ჯანელიძე	თსუ მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა
1. წრფივ ჰიპერბოლურ განტოლებათა სისტემების კერძო კლასისთვის აგებულია მულტისქემები პირველი და მეორე რიგის დისკრეტიზაციის მეთოდების გამოყენებით 2. დამტკიცებულია მეთოდის კრებადობა გლუვ ამონახსნთა კლასში				

სხვა მიღებული შედეგები:

1. **წრფივი ადვექციის განტოლებისთვის სიჩქარის ვექტორის არანულოვანი დივერგენციით აგებული იქნა ახალი ამონახსნი რიცხვითი მეთოდების სიზუსტის შესამოწმებლად ტესტურ ამოცანად გამოყენების მიზნით.**
2. **აგებული მულტისქემა სივრცით ორგანზომილებიანი წრფივი ადვექციის განტოლებისთვის ექვსკუთხა ბადეზე. ჩატარდა მულტისქემის პრაქტიკული სიზუსტის შემოწმება ორი ფიქსირებული ბადის შემთხვევაში ტესტური ამოცანის გათვლის გზით.**

<u>ასოცირებული პროფესორი ჯემალ როგავა</u>

*** საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები**

№	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები

1	ზოგიერთი ოპერატორული დიფერენციალური განტოლებისათვის ნახევრადდისკრეტული სქემების აგება და გამოკვლევა, მათემატიკა, რიცხვითი ანალიზი და გამოთვლითი ტექნოლოგიები	ჯ. როგავა	ჯ. როგავა

დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

ბანახის სივრცეში აბსტრაქტული პარაბოლური განტოლებისთვის განხილულია კოშის ამოცანა. ამ ამოცანის აპროქსიმაცია ხდება არაცხადი სამშრიანი ნახევრადდისკრეტული სქემის საშუალებით, რომელიც მცირე პარამეტრის მეთოდის გამოყენებით დაიყვანება ორშრიან სქემებზე. პირველი სქემის ამონახსნი გვაძლევს დასმული საწყისი ამოცანის ზუსტი ამონახსნის მიახლოებას ბიჯის მიმართ პირველი რიგის სიზუსტით, ხოლო მეორე სქემის ამონახსნი აზუსტებს პირველს მეორე რიგამდე. დასმული ამოცანის მიახლოებითი ამოხსნის სქემა გამოკვლეულია ნახევარჯგუფების აპარატის გამოყენებით. კერძოდ დამტკიცებულია ცხადი შეფასება მიახლოებითი ამონახსნის ცდომილებისთვის. ამ ფაქტის დამტკიცების გზაზე შუალედურ ეტაპს წარმოადგენს ცხადი შეფასების მიღება კრანკ-ნიკოლსონის კლასიკური სქემის ცდომილებისთვის. მუდმივი ოპერატორის შემთხვევაში კრანკ-ნიკოლსონის სქემის ცდომილებისთვის მიღებულია ცხადი შეფასება იმ შემთხვევისათვის, როცა ამოცანის მონაცემებს ედება მინიმალური მოთხოვნები (თითქმის იგივე რაც აუცილებელია ამონახსნის არსებობისა და ერთადერთობისთვი).

* პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	O.Kharshiladze, Kh. Chargazia, J. Rogava	Theoretical Analysis and Numerical Simulation of Nonlinear Dynamic Equation in the Shear Flow driven dissipative ionosphere. Proceedings of TICSAM – 2015, International Conference on Computer Science and Applied	2015, pp. 207-242	თბილისი, საქართველო	28

		Mathematics			

ანოტაცია

განხილულია ულტრადაბალი სიხშირის ელექტრომაგნიტური ჩქარი მოდის ურთიერთქმედება დაბალსიხშირულ მოდულირებულ როსბის მოდასთან იონოსფეროში წანაცვლებითი (არაერთგვაროვანი) პლაზმური დინების პირობებში. როსბის მოდების ტალღური პაკეტი წარმოადგენს მსხვილმაშტაბიანი გრიგალური სტრუქტურების საფუძველს და იძლევა იონოსფეროში გრიგალების გენერაციის ფიზიკურ მოდელს. ფონური წანაცვლებითი დინებების პირობებში როსბის გრიგალური სტრუქტურების ურთიერთქმედება ულტრადაბალი სიხშირის ჩქარ ელექტრომაგნიტურ მოდასთან დაიყვანება ამ ჩქარი მოდის როსბის მოდასთან ურთიერთქმედებაზე მათი ბმის პირობებში. შესწავლილია ფონური დინების როლი ამ ტალღების ბმის მექანიზმში.

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	J. Rogava, D. Gulua	Reduction of A Three-Layer Semi-Discrete Scheme for an Abstract Parabolic Equation to Two-Layer Schemes. Explicit Estimates for the Approximate Solution Error. Journal of Mathematical Sciences,	Vol. 206, No. 4 pp. 424-444, 2015	Springer	21

ანოტაცია

განხილულია არაცხადი სამშრიანი ნახევრადდისკრეტული სქემა აბსტრაქტული პარაბოლური განტოლებისათვის კოშის ამოცანის მიახლოებითი ამოხსნისათვის. შეშფოთების ალგორითმის გამოყენებით სამშრიანი ნახევრადდისკრეტული სქემა დაიყვანება ორ ორშრიან სქემაზე, რომელთა ამოხსნის გზით იგება გამოსავალი ამოცანის ამონახსნი. ნახევარჯგუფის თვისებების საფუძველზე მიღებულია ცხადი შეფასებები მიახლოებითი ამონახსნის ცდომილებისთვის.

* სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის დასახელება, ჩატარების დრო და ადგილი

	ები		
1	ჯ. როგავა, რ. გალდავა, დ. გულუა	ევოლუციური განტოლე-ბისთვის ოთხშრიანი ნახევრადდისკრეტულის სქემის ორშრიან სქემებად გახლეჩის შესახებ	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორე სამეცნიერო კონფერენცია, 02.02.2015-07.02.2015 თბილისი
მოხსენების ანოტაცია ჰილბერტის სივრცეში განხილულია კოშის ამოცანა ევოლუციური განტოლებისთვის თვითშეუღლებული დადებითად განსაზღვრული ოპერატორით. ამ ამოცანის აპროქსიმაცია ხდება არაცხადი ოთხშრიანი ნახევრადდისკრეტული სქემის საშუალებით, რომელიც მცირე პარამეტრის მეთოდის გამოყენებით იხლიჩება ორშრიან სქემებად. დადგენილია მიახლოებითი ამონახსნის ცდომილების რიგი დროითი ბიჯის მიმართ.			
2	J. Rogava, D. Gulua	The perturbation algorithm for realization multi-layer schemes	2 nd Georgian - Czech – Italian – Hungarian Conference and Workshop, Lie Groups, Differential Equations and Geometry, Supported by Marie Curie International Research Staff Exchange Scheme Grant FP7-PEOPLE-2012-IRSES-317721, On the occasion of the 80th years Anniversary of The Batumi Shota Rustaveli State University, Batumi, September 9 - 18, 2015
მოხსენების ანოტაცია შეშფოთების ალგორითმის გამოყენებით მრავალშრიანი სქემა ევოლუციური ამოცანისთვის დაიყვანება ორშრიან სქემებზე. ამ სქემების ამოხსნის გზით იგება გამოსავალი ამოცანის მიახლოებითი ამონახსნი. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ პირველი სქემის ამონახსნი გვაძლევს მიახლოებით ამონახსნს პირველი რიგის სიზუსტით, ხოლო ყოველი შემდეგი სქემის ამონახსნი აზუსტებს წინას ერთი რიგით. აგებული სქემა გამოკვლეულია ასოცირებული პოლინომების მეთოდით.			

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	J. Rogava, M. Tsiklauri	Convergence of a semi-discrete scheme for an abstract nonlinear second order evolution equation	Workshop, Lie Groups, Differential Equations and Geometry, Supported by Marie Curie's International Research Staff Exchange Scheme Grant FP7-PEOPLE-2012-IRSES-317721, Palermo, July 14rd - August 25th, 2015
მოხსენების ანოტაცია განხილულია კოშის ამოცანა კირხოფის არაწრფივი კლასიკური განტოლების განზოგადებისთვი. დასმული ამოცანის მიახლოებით ამონახსნს ვეძებთ ლოკალურად			

წრფივი სიმეტრიული ნახევრადდისკრეტული სქემის საშუალებით. დამტკიცებულია სქემის მდგრადობა და შეფასებულია მიახლოებითი ამონახსნის ცდომილება. აგებული სქემის გამოყენებით ჩატარებულია რიცხვითი გათვლები სხვადასხვა მოდელური ამოცანებისთვის. მიღებული რიცხვითი შედეგები სრულ შესაბამისობაში თეორიულ დასკვნებთან.

<u>ასოცირებული პროფესორი გია ავალიშვილი</u>

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გ. ავალიშვილი, მ. ავალიშვილი	On a Nonlocal Problem for an Abstract Ultraparabolic Equation, Bull. Georgian Natl. Acad. Sci.	ტ. 9, N 3, 2015	თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	6
წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ულტრაპარაბოლური განტოლება არალოკალური საწყისი პირობებით აბსტრაქტულ ჰილბერტის სივრცეებში. არალოკალური ამოცანისათვის დამტკიცებულია არსებობის და ერთადერთობის შედეგი ვექტორულ მნიშვნელობათა მქონე განაწილებების სივრცეებში მნიშვნელობებით ჰილბერტის სივრცეებში. აგებული და გამოკვლეულია არალოკალური ამოცანის ამონახსნის შესაბამისი კლასიკური ამოცანების ამონახსნების მიმდევრობით აპროქსიმაციის იტერაციული ალგორითმი. არაკლასიკური ამოცანისათვის აბსტრაქტულ ჰილბერტის სივრცეებში მიღებული ზოგადი შედეგის გამოყენებით სობოლევის სივრცეებში შესწავლილია დროით არალოკალური საწყის-სასაზღვრო ამოცანა ულტრაპარაბოლური განტოლებისათვის.				

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	გ. ავალიშვილი, მ. ავალიშვილი	ფენოვანი გარსის შემცველი დრეკადი მულტისტრუქტურისათვის განზომილების რედუქციის ერთი ალგორითმის შესახებ	თსუ მესამე საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, 2-6 თებერვალი, 2015 წ., თბილისი
ნაშრომში განხილულია დრეკადი მულტისტრუქტურა, რომელიც შედგება ზოგადი ფორმის სამგანზომილებიანი ნაწილისა და მასზე მიმაგრებული ფენოვანი			

გარსისაგან. აგებულია ზოგადი არაერთგვაროვანი ანიზოტროპული დრეკადი მასალისაგან შემდგარი მულტისტრუქტურის სტატიკური და დინამიკური მოდელების შესაბამისი სასაზღვრო და საწყის–სასაზღვრო ამოცანების სამგანზომილებიანი და ორგანზომილებიანი არეების ერთობლიობაზე განსაზღვრული ამოცანებით აპროქსიმაციის ალგორითმი, როცა ქვესტრუქტურების გამყოფ ინტერფეისებზე მოცემულია ხისტი კონტაქტის პირობები. მიღებული პლურიგანზომილებიანი სასაზღვრო და საწყის–სასაზღვრო ამოცანები გამოკვლეულია სათანადო ფუნქციონალურ სივრცეებში. დამტკიცებულია აგებული ორგანზომილებიანი და სამგანზომილებიანი არეების ერთობლიობაზე განსაზღვრული ამოცანების ამონახსნებიდან აღდგენილი სამი სივრცითი ცვლადის ვექტორ-ფუნქციების მიმდევრობის საწყისი სამგანზომილებიანი ამოცანების ამონახსნებისაკენ კრებადობა შესაბამის სივრცეებში და სათანადო პირობებში მიღებულია კრებადობის რიგის შეფასებები.			
2	გ. ავალიშვილი, მ. ავალიშვილი	დრეკადი ფირფიტისა და ღეროებისაგან შემდგარი მულტისტრუქტურების იერარქიული მოდელების შესახებ	თსუ ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის გაფართოებული სხდომები, 22-24 აპრილი 2015 წ., თბილისი
წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია სხვადასხვა გეომეტრიული ფორმის მქონე ნაწილებისაგან შედგენილი დრეკადი მულტისტრუქტურების რხევის ამოცანები. მრავალი საინჟინრო კონსტრუქცია წარმოადგენს მულტისტრუქტურას, რომელიც შედგება ფირფიტებისა, გარსებისა და ღეროებისაგან. განზომილების რედუქციის იერარქიული მეთოდის გამოყენებით ჩვენ ავაგებთ დრეკადი მულტისტრუქტურის დინამიკურ მოდელს, რომელიც შედგება ზოგადი ფორმის დრეკადი სხეულისაგან, მასზე დამაგრებული პრიზმული გარსისა და რამოდენიმე ღეროსაგან. პრიზმული გარსი ეყრდნობა სამგანზომილებიან სხეულზე დამაგრებულ ღეროებს. სამგანზომილებიან სხეულსა, პრიზმულ გარსს და ღეროებს შორის ინტერფეისებზე მოცემულია ხისტი საკონტაქტო პირობები. განხილულია პრიზმული გარსის და ღეროების სამგანზომილებიანი მოდელების შესაბამისად ორგანზომილებიანი და ერთგანზომილებიანი მოდელებით აპროქსიმაცია, და აგებულია მულტისტრუქტურის სამგანზომილებიანი, ორგანზომილებიანი და ერთგანზომილებიანი არეების ერთობლიობაზე განსაზღვრული დინამიკური მოდელები. დამტკიცებულია მიღებული იერარქიული მოდელების შესაბამისი საწყის-სასაზღვრო ამოცანების ამონახსნების არსებობა და ერთადერთობა სათანადო სივრცეებში. ამავე დროს, დამტკიცებულია აგებული ამოცანების ამონახსნებიდან აღდგენილი სამი სივრცითი ცვლადის ვექტორ-ფუნქციათა მიმდევრობის შესაბამის სივრცეებში კრებადობა საწყისი სამგანზომილებიანი ამოცანის ამონახსნისაკენ და შეფასებულია კრებადობის რიგი.			
3	გ. ავალიშვილი, მ. ავალიშვილი	ორი ფენოვანი სხეულისაგან, ფირფიტისა და ღეროებისაგან შემდგარი დრეკადი მულტისტრუქტურების იერარქიული მოდელების აგება და გამოკვლევა	თსუ ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის გაფართოებული სხდომები, 22-24 აპრილი 2015 წ., თბილისი
წარმოდგენილი ნაშრომი ეძღვნება ფენოვანი სხეულებისაგან, ზოგადი ფორმის მქონე სამგანზომილებიანი დრეკადი ნაწილისაგან, ფირფიტისაგან და ღეროებისაგან შედგენილი მულტისტრუქტურული კონსტრუქციების ვარიაციულ სტატიკურ და დინამიკურ			

მოდელთა იერარქიების აგებას და მათ გამოკვლევას. განხილულია დრეკადი ნაწილებისაგან შემდგარი მულტისტრუქტურების სამგანზომილებიანი სტატიკური და დინამიკური მოდელები, როცა ქვესტრუქტურები შედგება ზოგადი არაერთგვაროვანი ანიზოტროპული დრეკადი მასალისაგან და წარმოადგენენ ფენოვან სხეულებს, სამგანზომილებიან სხეულს, ცვლადი სისქის ფირფიტას და ცვლადი კვეთის ღეროებს. იერარქიული მოდელების ასაგებად განხილულია მულტისტრუქტურები, რომლებიც შედგება ორი ფენოვანი სხეულისაგან, რომლებიც შედგება ცვლადი სისქის ფირფიტებისაგან, ისინი ეყრდნობა სამგანზომილებიან სხეულს და მათ ზედაპირებზე მოცემულია ზედაპირული ძალები. ფენოვანი სხეულების მოპირდაპირე ვერტიკალური საზღვრები შეერთებულია სამგანზომილებიან სხეულზე დაყრდნობილი ცვლადი სისქის ვერტიკალური ფირფიტით (კაშხალი), რომლის ზედაპირებზე მოცემულია ზედაპირული ძალა, სამგანზომილებიანი სხეულის ნაწილზე შეიძლება მოცემული იყოს ზედაპირული ძალა, დანარჩენი ნაწილი კი იყოს ჩამაგრებული, ხოლო სამგანზომილებიანი სხეულის, ფენოვანი სხეულების და ფირფიტის გამყოფ ინტერფეისებზე მოცემულია გადაადგილების და ძაბვის ვექტორის უწყვეტად გადაბმის პირობები. განხილულია მულტისტრუქტურები, რომლებიც შედგება ორი ფენოვანი სხეულისაგან, რომლებიც შედგება ცვლადი სისქის ფირფიტებისაგან და ეყრდნობა სამგანზომილებიან სხეულს, და ისინი შეერთებულია ცვლადი სისქის ჰორიზონტალური ფირფიტით (ხიდი), რომელიც ეყრდნობა სამგანზომილებიან სხეულზე დამაგრებულ ცვლადი კვეთის ღეროებს. ფირფიტების და ღეროების ზედაპირებზე მოცემულია ზედაპირული ძალები, სამგანზომილებიანი სხეულის ნაწილზე შეიძლება მოცემული იყოს ზედაპირული ძალა, დანარჩენი ნაწილი კი იყოს ჩამაგრებული, ხოლო სამგანზომილებიანი და ფენოვანი სხეულების, ფენოვანი სხეულების და ფირფიტის, სამგანზომილებიანი სხეულის და ღეროების, და ფირფიტის და ღეროების გამყოფ ინტერფეისებზე მოცემულია გადაადგილების და ძაბვის ვექტორის უწყვეტად გადაბმის პირობები. საწყისი სამგანზომილებიანი ამოცანებისათვის განხილულია ვარიაციული ფორმულირებები, რომელთა გამოყენებით აგებულია სტატიკური და დინამიკური მოდელების ზოგადი იერარქიები ვარიაციული ფორმით. რთული გეომეტრიის მულტისტრუქტურებისათვის აგებული მოდელები, ქვესტრუქტურების გეომეტრიული ფორმის მიხედვით, განსაზღვრულია სხვადასხვა განზომილების მქონე სივრცით არეებზე. კერძოდ, სამგანზომილებიანი სხეულების, ორი ფენოვანი სხეულისაგან და ცვლადი სისქის ვერტიკალური ფირფიტისაგან შემდგარი მულტისტრუქტურისათვის აგებულია სამგანზომილებიანი და ორგანზომილებიანი სივრცითი არეების ერთობლიობაზე განსაზღვრულ მოდელთა იერარქია; სამგანზომილებიანი ნაწილის, ორი ფენოვანი სხეულის, ცვლადი სისქის ჰორიზონტალური ფირფიტის და ცვლადი კვეთის ღეროებისაგან შემდგარი მულტისტრუქტურისათვის აგებულია სამგანზომილებიანი, ორგანზომილებიანი და ერთგანზომილებიანი სივრცითი არეების ერთობლიობაზე განსაზღვრულ მოდელთა იერარქია. შესწავლილია აგებული მათემატიკური მოდელების შესაბამისი სასაზღვრო და საწყის-სასაზღვრო ამოცანები სათანადო ვარიაციულ ფორმულირებაზე დაყრდნობით. გამოკვლეულია ორი ფენოვანი სხეულის, სამგანზომილებიანი ნაწილის და ვერტიკალური ფირფიტისაგან შემდგარი მულტისტრუქტურისათვის აგებული იერარქიული მოდელი, რომელიც განსაზღვრულია სამგანზომილებიანი და ორგანზომილებიანი სივრცითი არეების ერთობლიობაზე. შესწავლილია ორგანზომილებიან არეზე განსაზღვრული ფუნქციონალური სივრცის სტრუქტურა, რომელიც წარმოადგენს სახოგადოდ წონიან სივრცეს, როდესაც ფირფიტის სისქე განიცდის გადაგვარებას სასაზღვრის გარკვეულ ნაწილზე. გამოკვლეულია სტატიკური და დინამიკური იერარქიული მოდელების შესაბამისი სასაზღვრო და საწყის-სასაზღვრო ამოცანები განსაზღვრული სამგანზომილებიანი და ორგანზომილებიანი არეების ერთობლიობაზე, მიღებულია ამონახსნების არსებობის და ერთადერთობის თეორემები სათანადო ფუნქციონა-

ლურ სივრცეებში. გამოკვლეულია ურთიერთკავშირი აგებულ მოდელებსა და საწყის სამგანზომილებიან ამოცანებს შორის და დამტკიცებულია სამგანზომილებიანი და ორგანზომილებიანი არეების ერთობლიობაზე განსაზღვრული ამოცანების ამონახსნებიდან აღდგენილი სამი სივრცითი ცვლადის ვექტორ-ფუნქციათა მიმდევრობების შესაბამის სივრცეებში კრებადობა საწყისი სამგანზომილებიანი ამოცანების ამონახსნებისაკენ და სათანადო დამატებით პირობებში მიღებულია კრებადობის რიგის შეფასებები. შესწავლილია ორი ფენოვანი სხეულის, სამგანზომილებიანი ნაწილის, ცვლადი სისქის ჰორიზონტალური ფირფიტის და ცვლადი კვეთის ღეროებისაგან შემდგარი მულტისტრუქტურისათვის აგებული სამგანზომილებიანი, ორგანზომილებიანი და ერთგანზომილებიანი სივრცითი არეების ერთობლიობაზე განსაზღვრული მოდელთა იერარქია. დამტკიცებულია აგებული სტატიკური და დინამიკური იერარქიული მოდელების შესაბამისი სასაზღვრო და საწყის-სასაზღვრო ამოცანების ამონახსნების არსებობა და ერთადერთობა სათანადო ფუნქციონალურ სივრცეებში. გამოკვლეულია ურთიერთკავშირი აგებულ იერარქიულ მოდელებსა და საწყის სამგანზომილებიან მოდელებს შორის და ნაჩვენებია რედუცირებული სამგანზომილებიანი, ორგანზომილებიანი და ერთგანზომილებიანი არეების ერთობლიობაზე განსაზღვრული ამოცანების ამონახსნებიდან აღდგენილი სამი სივრცითი ცვლადის ვექტორ-ფუნქციების მიმდევრობების კრებადობა საწყისი სამგანზომილებიანი ამოცანების ამონახსნებისაკენ შესაბამის სივრცეებში, და გარკვეულ დამატებით პირობებში მიღებულია მოდელირებისას წარმოქმნილი ცდომილების შეფასებები.

ასოცირებული პროფესორი ჯემალ ფერაძე

* პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	J.Peradze	An iteration me-thod of solution of a nonlinear in-tegral equation for a Kirchhoff type beam. Proc. Tbilisi Interna-tional Conferen-ce on Computer Science and Ap-plied Mathema-tics		Tbilisi, 2015	6
ანოტაციები ნაშრომში განხილულია სასაზღვრო ამოცანა არაწრფივი ინტეგრო–დიფერენციალური განტოლებისათვის, რომელიც აღწერს კირჰოფის (Kirchhoff) სტატიკური ძელის მდგომარეობას. ამოცანის ამოსახსნელად გამოყენებულია იტერაციული მეთოდი, შესწავლილია მისი კრებადობის პირობები, შეფასებულია კრებადობის სიჩქარე.					

* სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

Int-Math.CS-11

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.	J.Peradze	A method of solution of a nonlinear integro-differential equation http://conference.ens-2015.tsu.ge/lecture/update/404	The Third Scientific Conference in Exact and Natural Sciences ENS-2015, Tbilisi State University, February 2-7, 2015
მოხსენების ანოტაცია განხილულია პარაბოლური ტიპის არაწრფივი დიფერენციალური განტოლება, რომელიც აღწერს ერთგანზომილებიან დიფუზიას . შესაბამისი სასაზღვრო ამოცანის ამოსახსნელად გამოყენებულია რიცხვითი ალგორითმი, რომლის შემადგენელი ნაწილებია გალიორკინის მეთოდი და ნიუტონის იტერაცია. შესწავლილია მეთოდის კრებადობის პირობები და შეფასებულია მიახლოების სიზუსტე.			
№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
2.	J.Peradze, Z.Tsiklauri, G.Papukashvili	On the solution of a boundary value problem for the nonlinear Ball dynamic beam https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_zust_sabunebismetk/Programm_%20(1).pdf	Second Tbilisi-Salermo Workshop on Modeling in Mathematics, Tbilisi, March 16-18, 2015
მოხსენების ანოტაცია მოხსენებაში განხილულია ჰიპერბოლური არაწრფივი დიფერენციალური განტოლება დინამიური ძელისათვის. განტოლების ამოსახსნელად გამოყენებულია პროექციული მეთოდი და სიმეტრიული სხვაობიანი სქემა. შედეგად მიღებული დისკრეტულ განტოლებათა სისტემის ამოსახსნელად გამოყენებულია კარდანოს ფორმულა და იაკობის იტერაციული პროცესი. მიღებულია კრებადობის პირობები და შეფასებულია ცდომილე-ბა.			
№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
3.	J.Peradze	An iteration method of solution of a nonlinear integral equation for a Kirchhoff type beam	Tbilisi International Conference on Computer Science and Applied Mathematics, Tbilisi, 21-23 March, 2015

მოხსენების ანოტაცია

განხილულია სასაზღვრო ამოცანა არაწრფივი ინტეგრო–დიფერენციალური განტოლებისათვის, რომელიც აღწერს კირჰოფის (Kirchhoff) ძელის სტატიკურ მდგომარეობას. ამოცანის ამოსახსნელად გამოყენებულია იტერაციული მეთოდი, შესწავლილია მისი კრებადობის პირობები, შეფასებულია კრებადობის სიჩქარე.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
4.	N.Kachakhidze, N.Khomeriki, J.Peradze, Z.Tsiklauri	Chipot's method for Kirchhoff's one-dimensional static equation	ი.ვეკუას სახ.თსუ გმი სემინარის XXVIII გაფართოებული სხდომა, 22–24 აპრილი, 2015

მოხსენების ანოტაცია

ჩიპოს (Chipot's) მეთოდი გამოიყენება კირჰოფის (Kirchhoff) ერთგანზომილებიანი სტატიკური განტოლების ამოსახსნელად. შესწავლილია ამ მეთოდის მდგრადობის საკითხი.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
5.	J.Peradze	An equation for the transverse displacement of a nonlinear static shell http://www.gmu.ge/Batumi2015/	VI International Conference of the Georgian Mathematical Union, Batumi, July 12-16, 2015

მოხსენების ანოტაცია

სტატიკური გარსისათვის დონელ-ვლასოვის (Donnell-Vlasov) არაწრფივ განტოლებათა სისტემიდან გამოყოფილია კირჰოფის ტიპის არაწრფივი ინტეგრო–დიფერენციალური განტოლება განივი გადაადგილების ფუნქციის მიმართ.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
6.	J.Peradze, Z.Tsiklauri, G.Papukashvili	The accuracy of a solution of a static beam problem http://www.viam.science.tsu.ge/conferences/mianse2015/	მათემატიკისა და ინფორმატიკის გამოყენება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებ-სა და ინჟინერიაში, ი.ვეკუ-ას სახ. თსუ გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, 11-13 ნოემბერი, 2015

მოხსენების ანოტაცია

მოხსენებაში განხილულია სასაზღვრო ამოცანა კირჰოფის (Kirchhoff) ძელის არაწრფივი

დიფერენციალური განტოლებისათვის. მიახლოებითი ამონახსნი წარმოდგენილია ფუნქციების წრფივი კომბინაციის სახით, რომლის კოეფიციენტები აკმაყოფილებენ გალიორკინის არაწრფივ განტოლებათა სისტემას. ამ სისტემის გარკვეული გარდაქმნის შედეგად სისტემის იაკობიანი გადიქცევა ისრისებრ მატრიცად, რაც შერმან-მორისონის (Sherman-Morrison) ფორმულაზე დაყრდნობით შესაძლებელ ხდის იაკობიანისათვის შებრუნებული მატრიცის ცხადი სახით წარმოდგენას. სისტემის ამოსახსნელად გამოყენებულია ნიუტონის იტერაციული პროცესი. შეფასებულია ალგორითმის სრული ცდომილება.

<u>ასისტენტ პროფესორი თინათინ დავითაშვილი</u>

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Т.Д.Давиташвили, Г.В.Меладзе	О некоторых алгоритмах решения систем нелинейных алгебраических уравнений на вычислительных системах с параллельными процессорами . Int. Sci. Conf. devoted to the 85th Anniversary of Academician I.V. Prangishvili «Information and Computer Technologies, Modelling, Control», Tbilisi, Georgia, November 3-5, 2015. Proceedings (http://ict-mc.gtu.ge/conference.pdf)	Proceedings, 2015, pp.55-60	თბილისი, საქართველო	6

ანოტაციები

1. ნაშრომში შემუშავებულია სინქრონული იტერაციული მეთოდი არაწრფივ ალგებრულ განტოლებათა სისტემის ამოხსნისათვის, რომელიც შეიძლება რეალიზებულ იქნეს პარალელური თვლის კომპიუტერზე. შემუშავებულია იტერაციული მეთოდის კრებადობის სიჩქარე. განხილულია მაგალითი.

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/	სტატიის სათაური, ჟურნა-	ჟურნალის/	გამოცემის	გვერდების

	ავტორები	ლის/კრებულის დასახელება	კრებულის ნომერი	ადგილი, გამომცემლობა	რაოდენობა
1	D.Gordeziani, T.Davitashvili, H.Meladze	Numerical Solution of Nonlocal Contact Problems for Elliptic Equations. Proceedings of 10th Int. Conf. on Computer Science and Information Technologies (CSIT'2015), September 28 – October 2, 2015 (https://csit.am/2015/schedule.php, Session 5).	Proceedings CSIT'2015, September 28 – October 2, 2015, pp.273-276	Yerevan, Armenia	4
2	D.Gordeziani, T.Davitashvili, H.Meladze	Numerical solution of nonlocal contact problems for elliptic equations	IEEE Conference Publications, Pages: 143 - 147, DOI: 10.1109/CSITechnol.2015.7358269	IEEE's Xplore electronic library, IEEE	5

ანოტაციები

1. ნაშრომში დასმულია არალოკალური სასაზღვრო საკონტაქტო ამოცანა ორგანზომილებიან არეში პუასონის განტოლებისათვის და ჩატარებულია ანალიზი. ამოცანის რიცხვითი ამოხსნის მიზნით აგებულია იტერაციული პროცედურა, რომელიც საშუალებას იძლევა საწყისი ამოცანის ამოხსნა დაყვანილ იქნეს დირიხლეს ამოცანების მიმდევრობის ამოხსნაზე. ალგორითმი ხელსაყრელია პარალელური გამოთვლებისათვის. განხილულია კონკრეტული მაგალითი და ამოხსნილია Wolfram Mathematica-ის დახმარებით. მოყვანილია რიცხვითი გათვლების შედეგები.
2. ნაშრომი 1, გამოქვეყნებული IEEE –ში.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	T. Davitashvili, H. Meladze	On Some Parallel Algorithms for Numerical Solving of Multidimensional Linear Problems of Mathematical Physics (http://conference.ens-2015.tsu.ge/lecture/view/229) პლენარული მოხსენება	Third scientific conference in Exact and Natural Sciences ENS-2015, TSU, February 2-7, 2015
2	D. Gordeziani, T. Davitashvili,	Nonlocal Contact Problems for	VI Annual International

	H. Meladze	Two Dimensional Stationary Equations of Mathematical Physics. Book of abstracts, p.99	Conference of the Georgian Mathematical Union, Batumi, July 12-16, 2015 http://www.gmu.ge/Batumi2015/
3	D. Gordeziani, T. Davitashvili, H. Meladze	On one nonlocal contact problem for Poisson's equation in rectangular area. https://www.tsu.ge/ge/faculties/science/eak_dsnkqff5mxdg/	Second Tbilisi-Salerno Workshop on Modeling in Mathematics, Tbilisi, March 16-18, 2015
4	T. Davitashvili, H. Meladze, I. Meladze	On one generalization of contact problem for Poisson's equation in rectangular area. Poster session http://sdsu-georgia.stem.2015.tsu.ge/en/, პროგრამა: https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_zust_sabunebismetk/TOTAL-final-2.pdf	The First SDSU – Georgia STEM Workshop on Nanotechnology and Environmental Sciences, Tbilisi, Georgia, Sep. 4-6, 2015
5	D.Gordeziani, T.Davitashvili, T.Davitashvili	On one Mathematical Model for Water Basin Pollution by Harmful Substances. Poster session http://sdsu-georgia.stem.2015.tsu.ge/en/, პროგრამა: https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_zust_sabunebismetk/TOTAL-final-2.pdf	The First SDSU – Georgia STEM Workshop on Nanotechnology and Environmental Sciences, Tbilisi, Georgia, Sep. 4-6, 2015
6	Т.Д.Давиташвили, Г.В.Меладзе	О некоторых алгоритмах решения систем нелинейных алгебраических уравнений на вычислительных системах с параллельными процессорами. Proceedings, pp.55-60	The International Scientific Conference devoted to the 85th Anniversary of Academician I.V. Prangishvili «Information and Computer Technologies, Modelling, Control», Tbilisi, Georgia, November 3-5, 2015 http://ict-mc.gtu.ge/conference.pdf

ანოტაციები

1. მრავალგანზომილებიანი კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებების რიცხვითი ამოხსნის პარალელური ალგორითმების აგებისას ერთერთ უმნიშვნელოვანეს მიდგომას წარმოადგენს დეკომპოზიციის მეთოდების გამოყენება. ამ მეთოდების ქვეშ იგულისხმება როგორც საწყისი ამოცანის ოპერატორის დეკომპოზიცია, აგრეთვე ოპერატორის განსაზღვრის არის დეკომპოზიცია. მოხსენების მიზანია მათემატიკური ფიზიკის მრავალგანზომილებიანი წრფივი სტაციონარული და არასტაციონარული

ამოცანების რიცხვითი ამოხსნისათვის გარკვეული ტიპის დეკომპოზიციის მეთოდების (ადიტიური სქემები, ფაქტო რიზებული სქემები) გამოკვლევა. ამ მეთოდების საფუძველზე აგებულია განხილული ამოცანების რიცხვითი ამონახსნის მოძებნის პარალელური ალგორითმები.

2. არალოკალური ამოცანები წარმოადგენს მათემატიკური ფიზიკის კლასიკური ამოცანების საკმაოდ საინტერესო განზოგადოებას, ამასთან ისინი ბუნებრივად დაისმება რეალური პროცესებისა და მოვლენების მათემატიკური მოდელების აგების დროს. წარმოდგენილ ნაშრომში დასმულია და ამოხსნილია არალოკალური სასაზღვრო საკონტაქტო ამოცანა მეორე რიგის წრფივი ელიფსური ტიპის განტოლებებისათვის ორგანზომილებიან არეში. დამტკიცებულია ამოცანის ამონახსნის არსებობა და ერთადერთობა. აგებულია იტერაციული პროცედურა, რომელიც საშუალებას იძლევა საწყისი ამოცანის ამოხსნა დაყვანილ იქნეს დირიხლეს ამოცანების მიმდევრობის ამოხსნაზე. ნაშრომში მოყვანილია რიცხვითი გათვლების შედეგები ორგანზომილებიანი პუასონის განტოლებისათვის დასმული არალოკალური საკონტაქტო ამოცანის შემთხვევაში.
3. მოხსენებაში განხილულია არალოკალური სასაზღვრო საკონტაქტო ამოცანა ელიფსური ტიპის განტოლებისათვის დირიხლეს ამოცანის შემთხვევაში. დამტკიცებულია ამოცანის ამოხსნის არსებობა და ერთადერთობა. განხილულია აგრეთვე ამოცანის რიცხვითი ამოხსნის სხვაობიანი მეთოდები, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებული იქნას პარალელური გამოთვლებისათვის.
4. მოხსენებაში განხილულია მართკუთხა არეში არალოკალური სასაზღვრო საკონტაქტო ამოცანა პუასონის განტოლებისათვის, როდესაც არალოკალური პირობები დასმულია სასრული რაოდენობის მონაკვეთებზე. დამტკიცებულია ამოხსნის არსებობა და ერთადერთობა. მოყვანილია რიცხვითი გათვლების შედეგები.
5. მოხსენებაში განხილულია სივრცის მიხედვით არალოკალური ორგანზომილებიანი ამოცანა, რომელიც აღწერს დაბინძურების გავრცელებას წყალში. არაკლასიკური ამოცანის ამოხსნა იტერაციული პროცედურის გამოყენებით დადის კლასიკური კოში-დირიხლეს ამოცანების მიმდევრობის ამოხსნაზე. დამტკიცებულია იტერაციული პროცესის კრებადობა და შეფასებულია კრებადობის სიჩქარე. ოპერატორის დეკომპოზიციის მეთოდის გამოყენებით აგებულია და გამოკვლეულია პარალელური თვლის სქემა. განხილულია სქემის მდგრადობის, კრებადობის და სიზუსტის საკითხები.

შენიშვნა: ანოტაცია მოხსენებაზე [6] იხილეთ განყოფილებაში "პუბლიკაციები საქართველოში", [1].

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	D.Gordeziani, T.Davitashvili, H.Meladze	Numerical Solution of Nonlocal Contact Problems for Elliptic Equations, Proceedings of pp.273-276 https://csit.am/2015/schedule.php, Session 5	10th International Conference on Computer Science and Information Technologies (CSIT'2015), September 28 – October 2, 2015, Yerevan, Armenia
ანოტაცია: ანოტაცია მოხსენებაზე იხილეთ განყოფილებაში "პუბლიკაცია საზღვარგარეთ", [1].			

დამატებითი ინფორმაცია

გამოსაქვეყნებლად მიღებული ნაშრომი:

1. F.Criado-Aldeanueva, T. Davitashvili, H. Meladze, P.Tsereteli, J.M. Sanchez. Three-Layer Factorized Difference Schemes and Parallel Algorithms for Solving the System of Linear Parabolic Equations with Mixed Derivatives and Variable Coefficients. მიღებულია გამოსაქვეყნებლად იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში Journal of Applied and Computational Mathematic

ასისტენტ პროფესორი არჩილ პაპუკაშვილი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1.	დეფექტიანი(ბზარებით შესუსტებული, ხისტი ან დრეკადი ჩართვებით გამაგრებული) შედგენილი სხეულების კვლევა რიცხვითი მეთოდებით	ა. პაპუკაშვილი	ა. პაპუკაშვილი
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
	საანგარიშო პერიოდში შესწავლილ იქნა დრეკადობის თეორიის შემდეგი ორი ამოცანა: 1.ბზარებით შესუსტებული შედგენილი (უბნობრივ-ერთგვაროვანი) სიბრტყის შემთხვევაში დრეკადობის ანტიბრტყელი თეორიის სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანები. შესაბამისი უძრავი განსაკუთრებულობის შემცველი სინგულარული ინტეგრალური განტოლებების მიახლოებითი ამოხსნისთვის გამოწერილ იქნა ახალი სათვლელი ალგორითმები კოლოკაციის მეთოდის გამოყენებით. ჩატარებულია რიცხვითი გათვლები. 2.თხელი ხისტი ჩართვის მქონე მართკუთხოვანი ფირფიტის ღუნვის ამოცანები მიყვანილია არაინტეგრებადი განსაკუთრებულობის მქონე პირველი გვარის ინტეგრალურ განტოლებებზე. კოლოკაციის მეთოდის გამოყენებით გამოწერილია ახალი სათვლელი ალგორითმები ფირფიტის ჩაღუნვის ფუნქციის რიცხვითი მნიშვნელობების საპოვნელად.		

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ-ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	A. Papukashvili,	On one numerical	TICSSAM-	Tbilisi.	7

	J. Rogava, Z. Vashakidze.	method of research of the stress-deformed condition of some multystructures with difficult geometry . TICSSAM-2015, Conference's Procedings.	2015, March 21-23, 2015,Tbilisi.		
ანოტაცია ნაშრომში რიცხვითი მეთოდებით შესწავლილია რთული გეომეტრიის მქონე ზოგიერთი „ხიდის ფორმის“ მულტისტრუქტურის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა. კერძოდ განხილულია სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანა: მართკუთხედის ფორმის ორი ფირფიტა შეერთებულია ძელით. ფირფიტისთვის ვიხილავთ კლასიკურ წრფივ სასაზღვრო ამოცანებს, ხოლო ძელისთვის კირხოფის ტიპის არაწრფივ ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებას. გამოწერილია სათვლელი ალგორითმები, შექმნილია პროგრამული საშუალებები პროგრამათა სისტემა Matlab -ში და ჩატარებულია რიცხვითი ექსპერიმენტები.					
2	A. Papukashvili	On one numerical method of approximate solution of boundary-contact problem of some difficult geometry multystructures bodies. Reports of Enlarged Session of the Seminar of I. Vekua Institute of Applied Mathematics.	Volume 29, 2015.	Tbilisi.	4
ანოტაცია ნაშრომში რიცხვითი მეთოდებით შესწავლილია რთული გეომეტრიის მქონე ზოგიერთი „ხიდის ფორმის“ მულტისტრუქტურის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა. კერძოდ განხილულია სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანა: მართკუთხედის ფორმის ორი ფირფიტა შეერთებულია ძელით. ფირფიტისთვის ვიხილავთ კლასიკურ წრფივ სასაზღვრო ამოცანებს, ხოლო ძელისთვის კირხოფის ტიპის არაწრფივ ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებას. ძელის განტოლებაში მათემატიკური არაწრფივობის გარდა გათვალისწინებულია ფიზიკური არაწრფივობაც. გამოწერილია სათვლელი ალგორითმები, შექმნილია პროგრამული საშუალებები პროგრამათა სისტემა Matlab -ში და ჩატარებულია რიცხვითი ექსპერიმენტები.					
3	A. Papukashvili	A. Papukashvili. On numerical solution of antiplane problems of elasticity theory for composite bodies weakened by cracks.	Volume 29, 2015.	Tbilisi.	4

		Reports of Enlarged Session of the Seminar of I. Vekua Institute of Applied Mathematics.			

ანოტაცია

ბზარებით შესუსტებული შედგენილი სხეულის შემთხვევაში დრეკადობის ანტიბრტყელი თეორიის ზოგიერთი სასაზღვრო ამოცანის მიახლოებითი ამოხსნისთვის გამოწერილია ახალი სათვლელი ალგორითმები კოლოკაციის, კერძოდ დისკრეტულ განსაკუთრებულობათა მეთოდით თანაბრად დაშორებული კვანძების შემთხვევაში. ჩატარებულია შესაბამისი რიცხვითი გათვლები. მიღებულ შედეგებს აქვთ როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ღირებულება.

4	A. Papukashvili, T.Davitashvili, Z. Vashakidze.	Approximate Solution of Anti-plane Problem of Elasticity Theory for Composite Bodies Weakened by Cracks by Integral Equation Method. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences.	vol. 9, no. 3, 2015	Tbilisi.	8

ანოტაცია

წარმოდგენილ ნაშრომში შეისწავლება დრეკადობის თეორიის ანტიბრტყელი ამოცანები ბზარებით შესუსტებული შედგენილი (უბნობრივ-ერთგვაროვანი) ორთოტროპიული სხეულებისთვის, როდესაც ბზარი კვეთს ან უახლოვდება გამყოფ საზღვარს მართი კუთხით. შესასწავლი ამოცანები მიიყვანება უძრავი განსაკუთრებულობის შემცველ სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებაზე (როდესაც ბზარი უახლოვდება გამყოფ საზღვარს) და სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემაზე (წყვილზე, როდესაც ბზარი კვეთს გამყოფ საზღვარს) ბზარის გახსნის უცნობი მახასიათებელი ფუნქციის მიმართ. ბზარის ბოლო წერტილების მახლობლობაში ამონახსნთა ყოფაქცევა შეისწავლება დისკრეტულ განსაკუთრებულობათა მეთოდით ინტერვალის თანაბარი დაყოფის ალგორითმით. ორივე შემთხვევაში (როდესაც ბზარი უახლოვდება ან კვეთს გამყოფ საზღვარს) ამონახსნების ყოფაქცევა არის შესწავლილი. შესაბამისი ალგორითმები აგებულია და რეალიზებულია. წარმოდგენილია რიცხვითი თვლის შედეგები.

2) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	T.Davitashvili, A. Papukashvili, Z. Vashakidze.	On Crack Behavior in the Composite Piece-wise Homogeneous Body, Proceedings of the 4th International Conference on Applied and Computational Mathematics (ICACM '15)	Seoul, South Korea, September 5-7, 2015	Seoul, South Korea, Published by WSEAS Press, Editor Imre J. Rudas	6

ანოტაცია

წარმოდგენილ ნაშრომში შეისწავლება დრეკადობის თეორიის ანტიბრტყელი ამოცანები ბზარებით შესუსტებული შედგენილი (უბნობრივ-ერთგვაროვანი) ორთოტროპიული სხეულებისთვის, როდესაც ბზარი კვეთს ან უახლოვდება გამყოფ საზღვარს მართი კუთხით. შესასწავლი ამოცანები მიიყვანება უძრავი განსაკუთრებულობის შემცველ სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებაზე (როდესაც ბზარი უახლოვდება გამყოფ საზღვარს) და სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემაზე (წყვილზე, როდესაც ბზარი კვეთს გამყოფ საზღვარს) ბზარის გახსნის უცნობი მახასიათებელი ფუნქციის მიმართ. ბზარის ბოლო წერტილების მახლობლობაში ამონახსნთა ყოფაქცევა შეისწავლება დისკრეტულ განსაკუთრებულობათა მეთოდით ინტერვალის როგორც თანაბარი, ასევე არათანაბარი დაყოფის ალგორითმით. კოლოკაციის მეთოდით აგებულია მიახლოებითი ამოხსნის ალგორითმები. წარმოდგენილია რიცხვითი თვლის ზოგიერთი შედეგი.

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის დასახელება, ჩატარების დრო და ადგილი
1	ა.პაპუკაშვილი,	“დრეკადობის თეორიის ზოგიერთი სასაზღვრო და	საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო

	თ.დავითაშვილი, ზ.ვაშაკიძე.	საკონტაქტო ამოცანების კვლევა რიცხვითი მეთოდებით“.	მეცნიერებებში, 2 – 7 თებერვალი, 2015, თბილისი
მოხსენების ანოტაცია ნაშრომში განხილულია დრეკადობის თეორიის შემდეგი ორი ამოცანა: 1.ბზარებით შესუსტებული შედგენილი (უბნობრივ-ერთგვაროვანი) სხეულებისთვის ანტიბრტყელი ამოცანა; 2.თხელი ხისტი ჩართვის მქონე მართკუთხოვანი ფირფიტის ღუნვის ამოცანა. ზემოაღნიშნული ამოცანების შესწავლისთვის გამოყენებულია ინტეგრალურ განტოლებათა მეთოდი. წარმოდგენილ ნაშრომში შემოთავაზებულია ინტეგრალური განტოლებების მიახლოებითი ამოხსნის ახალი სათვლელი ალგორითმები კოლოკაციის მეთოდის გამოყენებით.			
2	ა.პაპუკაშვილი, ჯ.როგავა, ზ.ვაშაკიძე.	“რთული გეომეტრიის მქონე ზოგიერთი მულტისტრუქტურის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის შესწავლის ერთი რიცხვითი მეთოდის შესახებ”.	საერთაშორისო კონფერენცია TICCSAM-2015. თბილისი, 21-23 მარტი 2015.
მოხსენების ანოტაცია ნაშრომში რიცხვითი მეთოდებით შესწავლილია რთული გეომეტრიის მქონე ზოგიერთი „ხიდის ფორმის“ მულტისტრუქტურის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა. კერძოდ განხილულია სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანა: მართკუთხედის ფორმის ორი ფირფიტა შეერთებულია ძელით. ფირფიტისთვის ვიხილავთ კლასიკურ წრფივ სასაზღვრო ამოცანებს, ხოლო ძელისთვის კირხოფის ტიპის არაწრფივ ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებას. გამოწერილია სათვლელი ალგორითმები, შექმნილია პროგრამული საშუალებები პროგრამათა სისტემა Matlab -ში და ჩატარებულია რიცხვითი ექსპერიმენტები.			

3	ა.პაპუკაშვილი	“ რთული გეომეტრიის მქონე ზოგიერთი მულტისტრუქტურული სხეულისთვის სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანის მიახლოებითი ამოხსნის ერთი რიცხვითი მეთოდის შესახებ “.	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამო-ყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXIX გაფართოებული სხდომები, 22-24 აპრილი, 2015
მოხსენების ანოტაცია ნაშრომში რიცხვითი მეთოდებით შესწავლილია რთული გეომეტრიის მქონე ზოგიერთი „ხიდის ფორმის“ მულტისტრუქტურის დაძაბულ-დეფორმირებული			

მდგომარეობა. კერძოდ განხილულია სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანა: მართკუთხედის ფორმის ორი ფირფიტა შეერთებულია ძელით. ფირფიტისთვის ვიხილავთ კლასიკურ წრფივ სასაზღვრო ამოცანებს, ხოლო ძელისთვის კირხოფის ტიპის არაწრფივ ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებას. ძელის განტოლებაში მათემატიკური არაწრფივობის გარდა გათვალისწინებულია ფიზიკური არაწრფივობაც. გამოწერილია სათვლელი ალგორითმები, შექმნილია პროგრამული საშუალებები პროგრამათა სისტემა Matlab -ში და ჩატარებულია რიცხვითი ექსპერიმენტები.

4	ა.პაპუკაშვილი	“ დრეკადობის თეორიის ანტიბრტყელი ამოცანების მიახლოებითი ამოხსნის შესახებ ბზარებით შესუსტებული შედგენილი სხეულებისთვის “.	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამო-ყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXIX გაფართოებული სხდომები, 22-24 აპრილი, 2015
მოხსენების ანოტაცია ბზარებით შესუსტებული შედგენილი სხეულის შემთხვევაში დრეკადობის ანტიბრტყელი თეორიის ზოგიერთი სასაზღვრო ამოცანის მიახლოებითი ამოხსნისთვის გამოწერილია ახალი სათვლელი ალგორითმები კოლოკაციის, კერძოდ დისკრეტულ განსაკუთრებულობათა მეთოდით თანაბრად დაშორებული კვანძების შემთხვევაში. ჩატარებულია შესაბამისი რიცხვითი გათვლები. მიღებულ შედეგებს აქვთ როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ღირებულება.			

5	ა.პაპუკაშვილი, მ.დემეტრაშვილი, მ.შარიქაძე.	“ დრეკადობის თეორიის ანტიბრტყელი ამოცანის მიახლოებითი ამოხსნის ერთი მეთოდის შესახებ ჯვრის ფორმის ორგანზომილებიანი სხეულისთვის “.	საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის მეექვსე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია. ბათუმი, 12-16 ივლისი 2015.
მოხსენების ანოტაცია შვარცისა და გალიორკინის მეთოდების გამოყენებით აგებულია ახალი სათვლელი ალგორითმები დრეკადობის თეორიის ანტიბრტყელი ამოცანის (პუასონის განტოლებისათვის დირიხლეს სასაზღვრო ამოცანის) მიახლოებითი ამოხსნისათვის ჯვრის ფორმის ორგანზომილებიანი სხეულის შემთხვევაში.			

6	ა.პაპუკაშვილი, თ.დავითაშვილი, ზ.ვაშაკიძე.	“ ბზარებით შესუსტებული შედგენილი სხეულისთვის დრეკადობის ანტიბრტყელი თეორიის	საქართველოს მექანიკოსთა კავშირის მეექვსე ყოველწლიური საერთაშორისო

		ზოგიერთი სასაზღვრო ამოცანის მიახლოებითი ამოხსნა კოლოკაციის მეთოდით“.	კონფერენცია. თბილისი, 29.09-04.10 2015.

მოხსენების ანოტაცია

ბზარებით შესუსტებული შედგენილი სხეულის შემთხვევაში დრეკადობის ანტიბრტყელი თეორიის ზოგიერთი სასაზღვრო ამოცანის მიახლოებითი ამოხსნისთვის გამოწერილია ახალი სათვლელი ალგორითმები კოლოკაციის მეთოდით, ჩატარებულია შესაბამისი რიცხვითი გათვლები და გაკეთებულია ბზარის გავრცელების შესახებ ჰიპოთეტური პროგნოზი.

მათემატიკური ლოგიკისა და დისკრეტული სტრუქტურების კათედრა

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი. პროფ. რ. ომანაძე

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა.

ასოცირებული პროფესორი რევაზ გრიგოლია,
ასისტენტ პროფესორი ნანა ოდიშელიძე,
ასისტენტ პროფესორი ვლადიმერ ოდიშარია,
ასისტენტ პროფესორი არჩილ ყიფიანი

I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის
დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
(ეხება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			

I. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	**მათემატიკა. მათემატიკური ლოგიკა, ალგებრა.** უნიფიკაციის პრობლემა მონადიკური **MV**- ალგებრაბისგან შემდგარი კლასისთვის	რევაზ გრიგოლია	რევაზ გრიგოლია, როლანდ ომანაძე ტატიანა კისელიოვა რამაზ ლიპარტელიანი, ფრიდონ ალშიბაია
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე) ნაჩვენებია, რომ მონადიკური **MV**-ალგებრაბისგან შემდგარი მრავალსახეობის ზოგიერთ ქვემრავალსახეობებში უნიფიკაციის ტიპი არის 0.			

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულე-ბის მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანე ლი	პროექტის შემსრულებლები
1	**კომპიუტერული მეცნიერებები.** ტვირთების გადაზი-დვის ოპტიმალური მარშრუტების აგების ინტელექტუალური ხელშემწყობი სისტემა	შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი ევრო კავშირი	გ. სირბილაძე	გ. სირბილაძე რ. გრიგოლია
დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე) აგებულია 3-ნიშნა დესკრიპციული რელაციური სისტემები (გრაფები) ანუ კრიპკეს მოდე-ლები, რომლებიც წარმოადგენს 3-ნიშნა მოდალური ლოგიკების სემანტიკურ მოდელებს. აგებულია ოპტიმალური მარშრუტის პოვნის ალგორითმი				

I. 4.

2	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულე-ბის მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანე ლი	პროექტის შემსრულებლები
	მათემატიკა. მათემატი-კური ლოგიკა, ალგებრა. პროექციულობა, უნი-ფიკაცია და სტრუქ-ტურული სისრულე მონადიკური MV-ალგებრების მრავალსახეობაში	შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	რ. გრიგოლია	რ, გრიგოლია რ. ომანაძე ვ. მესხი ტ. კისელიოვა რ. ლიპარტელიანი ფ. ალშიბაია
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე) მ-წარმომქმნელიანი ($1\leq m<\omega$) მონადიკუ-რი V(ჩ)-ალგებრა სრულყოფილ მონადიკურ V-ალგებრათა მრავალსახეობაში პროექციულია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა ის სასრულად წარმოდგენადი V-ალგებრაა.				

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის	გამოცემის ადგილი,	გვერდების

		სათაური	გამომცემლობა	რაოდენობა
1 2 3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
I. 4.

N	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	მაგნიტრი ველები სამყაროში: წარმოშობა, ევოლუცია და დაკვირვებითი გამოვლინებები *მიმართულება:* **ფიზიკა - ასტროფიზიკა**	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი **FR/264/6-350/14**	ალექსანდრე თევზაძე (თანამონაწილე ორგანიზაციის მხრიდან, თსუ)	ალექსანდრე თევზაძე (თანამონაწილე ორგანიზაციის მხრიდან, თსუ)

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

შესწავლილია მაგნიტური ველები, რომელთა წარმოშობაც შესაძლებელია როგორც კოსმოლოგიური, ასევე ასტროფიზიკური წყაროებიდან. გაანალიზებულია არასპირალური მაგნიტოჰიდროდინამიკული ტურბულენტობის მილევის ეფექტები მაგნიტურ ველებზე დიდ მასშტაბებში.

მოხსენება კონფერენციაზე:
„Evolution of magnetic fields in large scale anisotropic MHD flows“
Alexander Tevzadze, Origin, Evolution, and Signatures of Cosmological Magnetic Fields,
15 June - 10 July, 2015, Stockholm, Sweden, http://agenda.albanova.se/conferenceDisplay.py?confId=3988

N	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2	მზის ქრომოსფეროში მიმდინარე არასტაციონარული ფიზიკური პროცესების შესწავლა *მიმართულება:* **ფიზიკა - ასტროფიზიკა**	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი *დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის გრანტი* **DO/202/6-310/14**	დავით ხუციშვილი (თსუ დოქტორანტი)	დავით ხუციშვილი

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

მიმოხილულია მზის ქრომოსფეროს სპიკულების ფიზიკური პარამეტრები:
ა) სიცოცხლის ხანგრძლივობა, ზომები, რაოდენობა, ტემპერატურა, სიმკვრივე.
ბ)დოპლერის/ტანგენციალური სიჩქარეები, რხევები, ტალღები, ბრუნვა, ინტესივობა, ექვივალენტური და ნახევარ-სიგანეები
გ) სპიკულების კლასიფიკაცია
დ) სპიკულების მოდელები
ე)კორონის გათბობის მექანიზმი

აღწერილია დაკვირვებითი მასალის მიღების და დამუშავების თანამედროვე მეთოდიკა:
1) დიდი 53 სმ დაბნელებაგარეშე კორონოგრაფის აღწერა;
2) დიდ დაბნელებაგარეშე კორონოგრაფის დახმარებით დამზერითი/დაკვირვებითი მასალის მიღების თანამედროვე მეთოდიკა;
3) დიდ დაბნელებაგარეშე კორონოგრაფის დახმარებით მიღებული დამზერითი მასალი დამუშავების თანამედროვე მეთოდიკა.

დასმული ამოცანა მთლიანად შესრულებულია.

მოხსენება სემინარზე ლუვენის კათოლიკურ უნივერსიტეტში (ბელგია) 20.03.2015:

The Chromosphere spicules Doppler velocities and half-widths asymmetry changes in time.
Khutsishvili, D., Zaqarashvili, T.V., Khutsishvili, E., Kvernadze, T., Kulidzanishvili, V., Kakhiani, V. And Sikharulidze, M.

II. 1. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	V.I. Berezhiani, **N.L. Shatashvili,** N.L. Tsintsadze	*Electromagnetic Solitons in Degenerate Relativistic Electron-Positron Plasma.*	***Phys. Scr.* 90** 068005 (2015)	შვედეთი	5 გვერდი

ანოტაცია

The existence of soliton-like electromagnetic (EM) distributions in a fully degenerate electron–positron plasma is studied applying relativistic hydrodynamic and Maxwell equations. For a circularly polarized wave it is found that the soliton solutions exist both in relativistic as well as nonrelativistic degenerate plasmas. Plasma density in the region of soliton pulse localization is reduced considerably. The possibility of plasma cavitation is also shown.

შესწავლილია სოლიტონის მაგვარი ელექტრომაგნიტური (ემ) განაწილებების არსებობის ამოცანა სრულიად გადაგვარებულ ელექტრონ-პოზიტრონულ პლაზმაში რელატივისტური ჰიდროდინამიკისა და მაქსველის განტოლებების გამოყენებით. ცირკულარულად პოლარიზებული ტალღისათვის ნაპოვნია, რომ სოლიტონური ამონახსნები არსებობენ როგორც რელატივისტურ, ასევე არარელატივისტურ გადაგვარებულ პლაზმებში. სოლიტონის იმპულსის ლოკალიზაციის არეში პლაზმის სიმკვრივე მნიშვნელოვნად იკლებს. ასევე ნაჩვენებია პლაზმის კავიტაციის შესაძლებლობა.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2	V.I. Berezhiani, **N.L. Shatashvili,** S.M. Mahajan.	*Beltrami-Bernoulli Equilibria in Plasmas with Degenerate Electrons.*	***Physics of Plasmas* 22**, 022902 (2015); doi: 10.1063/1.4913356.	აშშ	6 გვერდი

ანოტაცია
A new class of Double Beltrami–Bernoulli equilibria, sustained by electron degeneracy pressure, is investigated. It is shown that due to electron degeneracy, a nontrivial Beltrami–Bernoulli equilibrium state is possible even for a zero temperature plasma. These states are, conceptually, studied to show the existence of new energy transformation pathways converting, for instance, the degeneracy energy into fluid kinetic energy. Such states may be of relevance to compact astrophysical objects like white dwarfs, neutron stars, etc. შესწავლილია ახალი კლასის ორმაგი ბელტრამი-ბერნულის წონასწორობები, რომლებიც ნარჩუნდება ელექტრონების გადაგვარების წნევით. ნაჩვენებია, რომ ელექტრონების გადაგვარების გამო შესაძლებელია არატრივიალური ბელტრამი-ბერნულის წონასწორული მდგომარეობაც თვით ნულოვანი ტემპერატურის პლაზმაშიც. ეს მდგომარეობები შეისწავლება კონცეპტუალურად, რათა ნაჩვენებ იქნას ენერგიის გარდაქმნის ახალი გზები, როდესაც, მაგალითად, გადაგვარების ენერგია გადადის სითხის კინეტიკურ ენერგიაში. ასეთი მდგომარეობები უნდა მიესადაგებოდენ კომპაქტურ ასტროფიზიკურ ობიექტებს თეთრ ჯუჯებში, ნეიტრონულ ვარსკლავებში და ა.შ.

3	**N.L. Shatashvili,** S.M. Mahajan, V.I. Berezhiani,.	*Mechanisms for Multi-Scale Structures in Dense Degenerate Astrophysical Plasmas*	***Astrophysics and Space Science 361** (2), 70(2016).* *arXiv:*1512.05546	*International Journal;* Springer	12 გვერდი

ანოტაცია
Two distinct routes lead to the creation of multi-scale equilibrium structures in dense degenerate plasmas, often met in astrophysical conditions. By analyzing an e-p-i plasma consisting of degenerate electrons and positrons with a small contamination of mobile classical ions, we show the creation of a new macro scale L_{macro} (controlled by ion concentration). The temperature and degeneracy enhancement effective inertia of bulk e-p components also makes the effective skin depths larger (much larger) than the standard skin depth. The emergence of these intermediate and macro scales lends immense richness to the process of structure formation, and vastly increases the channels for energy transformations. The possible role played by this mechanism in explaining the existence of large-scale structures in astrophysical objects with degenerate plasmas, is examined. ორ კონკრეტულ გზას მივყევართ მრავალ-მასშტაბური წონასწორული სტრუქტურების ფორმირებასთან მკვრივ გადაგვარებულ პლაზმებში, რომლებიც ხშირად გვხდება ასტროფიზიკურ პირობებში. ე-პ-ი პლაზმის (რომელიც შეიცავს გადაგვარებულ ელექტრონებსა და პოზიტრონებს მოძრავი კლასიკური იონების მცირე მინარევით) ანალიზის შედეგად ვაჩვენეთ ახალი მაკრო მასშტაბის L_{macro} ფორმირება (ეს უკანასკნელი კონტროლდება იონების კონცენტრაციით). ძირითადი ე-პ კომპონენტების ეფექტური ინერციის (გაზრდილი ტემპერატურით და გადაგვარებით) გამო იზრდება ეფექტური სკინ-სიგრძეები (ძალიან

იზრდება) სტანდარტულ სკინ-სიგრძესთან შედარებით. ამ შუალედური და მაკრო მასშტაბების აღმოცენება მნიშვნელოვნად ამდიდრებს სტრუქტურების ფორმირების პროცესს, და აფართოებს ენერგიის გარდაქმნის არხებს. შესწავლილია ამ მექანიზმით გამოწვეული დიდ-მასშტაბიანი სტრუქტურების არსებობის შესაძლებლობა ასტროფიზიკურ ობიექტებში გადაგვარებული პლაზმებით.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
4.	Hau J-N., Chagelishvili G., Khujadze G., Oberlack M. and **Tevzadze A.,**	*A comparative numerical analysis of linear and nonlinear aerodynamic sound generation by vortex disturbances in homentropic constant shear flows*	***Physics of Fluids***, **27**, 126101 (2015)	*American Institute of Physics, USA*	28 გვერდი

შეისწავლება აეროდინამიური ბგერის გენერაცია წანაცვლებით დინებებში ჰიდროდინამიკური მდგრადობის თეორიაში წინა საუკუნის 90-იანი წლების გარღვევის ფონზე, რომელიც განაპირობა „არანორმალურ“ წანაცვლებით დინებიანი სისტემების არსებითი მოვლენების გააზრებამ. აღწერის ოპტიმალური - მცირე-დროითი - მოდგომის შემუშავებამ. ამ არამოდალური მიდგომის საფუძველზე დადგინდა გრიგალებისაგან ტალღების წრფივი გენერაციის ერთადერთი მექანიზმი. ეს არის დინების „არანორმალურობით“ ინიცირებული წრფივი მოდების ბმა რომელიც ეფექტური ხდება ზომიერი მახის რიცხვების დროს. შესწავლილია ორგანზომილებიანი ჰომენტროპული დინება მუდმივი წანაცვლებით და ფოკუსირება გაკეთებულია დინამიურ მახასიათებლებზე სპექტრალურ სიბრყეში. ამან საშუალება მოგვცა ერთმანეთისაგან განგვეცალკევებია დინამიური პროცესების მონაწილეები - გრიგალური და ტალღური მოდები და შეგვეფასებია ტალღების გენერაციის წრფივი პროცესის ეფექტურობა. ეს პროცესი ანალიზებული და ვიაზუალიზებულია გრიგალური მოდის პაკეტის მაგალითზე, რომელიც ლოკალიზებულია როგორც სპექტრალურ, ასევე ფიზიკურ სიბრტყეში. შემდგომ, პირდაპირი რიცხვითი გამოთვლების გამოყენებით, ქაოსურად განაწილებული გრიგალური მოდით ტალღების გენერაცია გავაანალიზეთ და დინამიკაში ჩართული წრფივი და არაწრფივი პროცესების იდენტიფიკაცია მოვახდინეთ. წრფივი მექანიზმით გენერირებული აკუსტიკური ველი ანიზოტროპულია სპექტრალურ სიბრტყეში და განაპირობებს მკვეთრად მიმართული ბგერის გამოსხივებას, მაშინ როდესაც არაწრფივი მექანიზმებით გენერირებული ტალღები ვრცელდებიან ყველა მიმართულებით. ვაჩვენეთ წრფივი აეროდინამიური ბგერის გენერირების დომინანტობა პრაქტიკულად მნიშვნელოვანი შემთხვევებისათის. ვაჩვენეთ ლაიტჰილის აკუსტიკური ანალოგიის თეორიის ბგერის წყარის წრფივი წევრის ტოპოლოგიური შეუსაბამობა დინების „არანორმალურობით“ გენერირებულ ტალღებთან.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
5.	Brandenburg, A., Kahniashvili, T., **Tevzadze, A.**	*Nonhelical Inverse Transfer of a Decaying Turbulent Magnetic Field*	***Physical Review Letters*, 114**, 075001 (2015)	*American Physical Society, USA*	4 გვერდი

სპირალური მაგნიტური ველების პირობებში დაკვირვებადი უკუ კასკადი მაგნიტოჰიდროდინამიკურ ტურბულენტობაში კარგად ცნობილი ეფექტია, რომელიც დაიკვირვება ასტროფიზიკურ, კოსმოლოგიურ და თერმობირთვულ პლაზმაში. მაღალი გარჩევის რიცხვითი მოდელირების საშუალებით ჩვენ ვაჩვენებთ მსგავს ეფექტს არასპირალური ტურბულენტობის მილევის მოდელირებისას. პირველად არის გამოთვლი სპექტრალური გადატანის ფუნქცია და ნაჩვენებია, რომ უკუ კასკადი სპირალობის გარეშე მიმდინარეობს ორჯერ უფრო ნელა სპირალურ ტურბულენტობასთან შედარებით. ორივე შემთხვევაში დიდმასშტაბოვანი მაგნიტური ველების ენერგია მატულობს დიდმასშტაბოვანი კინეტიკური ენერგიისა და მცირემასშტაბოვანი მაგნიტური ველების ურთიერთქმედების შედეგად. გამოთვლები აჩვენებენ, რომ უკუ კასკადი არასპირალურ ტურბულენტობაში შეიძლება იყოს მაგნიტურად დომინირებული ტურბულენტობის უნივერსალური თვისება. ამ შემთხვევაში ტურბულენტობის ინერციული უნაბი გვიჩვენებს მკვეთრად გამოხატულ k^{-2} სპექტრალურ განაწილებას, რომელიც ემთხვევა სუსტი მჰდ ტურბულენტობის კანონზომიერებას.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
6.	**ჰუტსისჰვილი, .;** ჰუტსისჰვილი, .; ვერნადზე, თ.; ულიდზანისჰვილი, V.; აკჰიანი, V.; შიკჰარულიდზე, V.	*Spectral Linewidth Variations in the Solar Chromosphere*	***Astrophysics*, 58(4),** 567-574 (2015) 10.1007/s10511-015-9408-3	*Armenia,* Springer	8 გვერდი

The first observational data on the spectra of spicules in the D_3 and Hα lines for different altitudes in the chromosphere during a period of time longer than the lifetime of a spicule have been obtained in Abastumani. These unique observations show that the half-widths of the spectral lines in the spicules decrease very little with altitude, while their brightness decreases exponentially. Nonthermal turbulent velocities are determined (at $T \approx 6000^{o}$ K). The average value VT equals about 25 km/sec for Hα spicules with small (~1.2 Å) half-widths and about 18 km/sec for D_3 spicules with average half-width 0.6 Å .

აბასთუმნის ობსერვატორიაში მიღებულია პირველადი დაკვირვებითი მონაცემები სპიკულების სპექტრისათვის D_3 და Hα ხაზებში ქრომოსფეროსათვის სხვადასხვა სიმაღლეებზე დროის პერიოდში, რომელიც მეტია სპიკულების სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. ამ ერთადერთმა დაკვირვებებმა აჩვენა, რომ სპიკულების სპექტრალური ხაზების ნახევარ-სიგანეები სუსტად მცირდებიან სიმაღლის მიხედვით, მაშინ როდესაც მათი სიკაშკაშე მცირდება ექსპონენციალურად. არასითბური ტურბულენტური სიჩქარეები განისაზღვრებიან $T \approx 6000^o$ K მნიშვნელობისათვის. VT-ს საშუალო მნიშვნელობა ტოლია 25 km/sec -ის Hα სპიკულებისათვის მცირე (~1.2 ℑ) ნახევარ-სიგანეებისათვის და ტოლია 18 km/sec -ის D_3 სპიკულებისათვის 0.6 ℑ -ის ტოლი საშუალო ნახევარ-სიგანეებისათვის.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნანა შათაშვილი	*ბელტრამი-ბერნულის წონასწორობები ასტროფიზიკურ პლაზმაში გადაგვარებული ელექტრონებით*	2 – 6 თებერვალი, 2015 თსუ, თბილისი http://conference.ens-2015.tsu.ge/statements/prog_physics.pdf

მოხსენების ანოტაცია

ჩვენ შევისწავლეთ ორმაგი ბელტრამის წონასწორული მდგომარეობების არსებობის შესაძლებლობა პლაზმაში გადაგვარებული ელექტრონებით (ასეთი პლაზმა ხშირად გვხდება ასტროფიზიკურ პირობებში) - ნაპოვნია და გამოკვლეულია ახალი კლასის ორმაგი ბელტრამი-ბერნულის (ბბ) წონასწორობები, რომლებიც ნარჩუნდება ელექტრონების გადაგვარების წნევით. რადგანაც კარგად შესწავლილი გადაუგვარებელი ბბ მდგომარეობები გარანტირებულად იწვევენ მასშტაბთა განცალების მოვლენას, რაც, შესაბამის პირობებში, ენერგიის გარდაქმნის გზების საწინდარია სხვადასხვა ასტროფიზიკური მოვლენებისათვის (ამოფრქვევები, სწრაფი/ტრანზიენტული გარედინებებისა და ჯეტების ფორმირება, მაგნიტური ველის გენერაცია, სტრუქტურების ფორმირება, გაცხელება და ა.შ.), ასეთი გზების შესწავლა ადვილად განსახორციელებელია გადაგვარებული შემთხვევისთვისაც, როდესაც გადაგვარების წნევა უზრუნველყოფს დამატებით ენერგიის წყაროს. განსაკუთრებით საინტერესოა ვარსკლავის ბედის განსაზღვრა შეკუმშვისას და გაციებისას, თეორ ჯუჯად გარდაქმნისას, რადგანაც ეს უკანასკნელი ითვლება ვარსკვლავთა ევოლუციის სასაზღვრო პირობად. ნაჩვენებია, რომ ელექტრონების გადაგვარების გამო, შესაძლებელია არა-ტრივიალური ბელტრამი-ბერნულის წონასწორული მდგომარეობა თვით ნულოვანი პლაზმური ტემპერატურისას. ეს მდგომარეობები შესწავლილია კონცეპტუალურად რათა გვეჩვენებინა ენერგიის გარდაქმნის ახალი გზა, მაგალითად, როდესაც გადაგვარების ენერგია გარდაიქმნება სითხის კინეტიკურ ენერგიაში. ასეთი მდგომარეობები შესაძლებელია იყვნენ რელევანტურნი კომპაქტური ასტროფიზიკური ობიექტებისათვის, როგორებიცაა თეთრი ჯუჯები, ნეიტრონული ვარსკვლავები და ა.შ.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
2	დავით ხუციშვილი	*ქრომოსფერული სპიკულების დოპლერის სიჩქარეებისა და ნახევარსიგანეების დროითი ცვლილებების ასიმეტრია*	2 – 6 თებერვალი, 2015 თსუ, თბილისი http://conference.ens-2015.tsu.ge/statements/prog_physics.pdf
მოხსენების ანოტაცია			
აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში, 53-სანტიმეტრიანი დიდი კორონოგრაფის დაკვირვებით მზის ქრომოსფეროში მიღებული იქნა ახალი სერია Hα სპიკულების სპექტოგრამებისა 7500 კმ სიმაღლეზე. მიღებული სპექტროგრამები დაკვირვებული არის სპექტოგრაფის მეორე ხაზში, სადაც დისპერსია არის 0.96 Å/მმ. დაკვირვებული იქნა 5 სპიკულის დოპლერის სიჩქარე და სპიკულის ნახევარ სიმაღლე, რომელთა კადრების ექსპოზიცია არის 4.5 წამი, სტანდარტული ცდომილება არის ±0.3 კმ/წმ და 0.02 Å. ხოლო სპიკულების სიცოცხლის xანგრძლივობა არის დაახლოებით 12-16 წთ. შეინიშნება დოპლერის სიჩქარეებისა და ნახევარსიგანეების დროის მიხედვით ცვლილების ასიმეტრია და დოპლერის სიჩქარის და ნახევარსიგანის მაქსიმუმებს შორის საშულოდ დროითი 1 წთ ხანგრძლივობის წანაცვლება. დოპლერის სიჩქარის სიდიდის ზრდისას მცირდება ნახევარ-სიგანეების სიდიდე და პირიქით. მზის კიდიდან 7500კმ სიმაღლეზე დოპლერის სიჩქარეების რხევის პერიოდები არის 13წთ, 8,4წთ, 12.8წთ, 7წთ, 6,7წთ, ხოლო ნახევარსიგანეების რხევის პერიოდები არის 12წთ, 3.2წთ, 11.9წთ, 7.2წთ, 6.7წთ, შესაბამისად. დოპლერის სიჩქარის რხევის პერიოდები საშუალოდ იცვლება 6-13wთ. შუალედში, ხოლო ნახევარსიგანის რხევის პერიოიდები საშუალოდ იცვლება 6-12წთ შუალედში. მზის კიდიდან სიმაღლის ზრდასთან ერთად დოპლერის სიჩქარეების რხევის პერიოდების ცვლილების დიაპაზონი მატულიბს.		

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
3	ელენე უჩავა	*უკუმშვადი ანიზოტროპული მჰდ დინების დინამიკა სითბური ნაკადებით*	2 – 6 თებერვალი, 2015 თსუ, თბილისი http://conference.ens-2015.tsu.ge/statements/prog_physics.pdf
მოხსენების ანოტაცია			
წარმოდგენილ ნაშრომში შესწავლილია ანიზოტროპული მჰდ წანაცვლებითი დინების წრფივი დინამიკა 16-იმპულსურ მიახლოებაში სითბური ნაკადების გათვალისწინებით. აღნიშნული მიდგომის წარმატება უკვე ნანახია კუმშვადი მოდების შესწავლისას ანისოტროპულ წანაცვლებით დინებებში (იხ. [1]). ანალიზი ეფუძვნება დაბალსიხშირულ ზღვარს, როდესაც შესაძლებელია კუმშვადი ეფექტების უგულვებელყოფა და ამოცანის უკუმშვადი წრფივი სპექტრის შესწავლა. ამ მიახლოებაში ნაპოვნია ამოცანის წრფივი ინვარიანტი რომელიც გამოწვეულია რადიალური დინებისა და განივი სითბური ნაკადების ურთიერთქმედებით არაერთგვაროვან დინებაშ გასწვრივი		

ფონური მაგნიტური ველის პირობებში. ნაპოვნია ინვარიანტის ზოგადი ფორმა, რომელიც ინახება დინების არაერთგვაროვნების გათვალისწინებითაც. ნაჩვენებია დინების ლოკალური აჩქარების ეფექტები, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს ამ ტიპის შენახვადი სიდიდის არსებობამ მაგნიტური ანიზოტროპიისა და სითბური ნაკადების პირობებში. ინვარიანტის ანალიზური ფორმა საშუალებას იძლევა შევისწავლოთ შლანგურ არამდგრადობაზე სიჩქარის არაერთგვაროვნების ეფექტები. ნაჩვენებია, რომ რადიალური დინების წანაცვლება ახდენს შლანგური არამდგრადობის წრფივ სტაბილიზაციას. განხილულია წრფივი შეშფოთებათა ანალიზის ფარგლებშ მირებული შედეგების შესაძლო გამოვლინებები მზისა და ვარსკვლავების ქარების დაკვირვებებში. ლიტერატურა [1] E. S. Uchava, B. M. Shergelashvili, A. G. Tevzadze, S. Poedts, Phys. Plasmas, 21, 082902 (2014).

4.	ალექსანდრე თევზაძე *თანაავტორები:* რ.. ჭანიშვილი, გ. ჩაგელიშვილი, ე. ს. უჩავა, გ. რ. ხუჯაძე	*„კონვექციური შეშფოთებების ზრდის კანონები ასტროფიზიკურ წანაცვლებით დინებებში“*	მესამე საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თებერვალი 2-7, 2015. http://conference.ens-2015.tsu.ge/lecture/view/239

წარმოდგენილ ნაშრომში შესწავლილია წრფივი შეშფოთებები სტრატიფიცირებულ წანაცვლებით დინებებში, სადაც სტრატიფიკაციისა და წანაცვლების სიბრტყე ერთმანეთის პერპენდიკულარულია. მარტივ მათემატიკურ მოდელში აღებულია ტემპერატურის წრფივი და წნევის კვადრატული პროფილი ჰორიზონტალურად არაერთგვაროვან დინებაში. კონვექციური არამდგრადობა შესწავლილია კრიტიკული რეილის ნიცხვის გამოყენებით, რომელიც საჭიროა არამდგრადობის განვითარებისათვის. აღნიშნულ მოდელში წრფივი ექსპონენციალური არამდგრადობა და არამოდალური ალგებრული ზრდა დაიკვირვებიან ერთდროულად. ჰორიზონტალური წანაცვლებისა და ვერტიკალური არამდგრადი სტრატიფიკაციის ეფექტების შეჯიბრი ხშირად იწვევს განსხვავებულ საბოლოო მდგომარეობების ჩამოყალიბებას. დაბალი რეილის რიცხვების შემთხვევაში დინებაში ვითარდება განივი სტრუქტურები. მაღალი რეილის რიცხვებისათვის კონვექციის ხასიათი განუზღვრელია: საწყისი შეშფოთებების გარკვეული სპეციფიკური ტიპისათვის კონვექცია გამოავლენს გასწვრივ სტრუქტურებს, როდესაც სითბური არამდგრადობა ჯაბნის წანაცვლების ეფექტებს. ნაპოვნია ოპტიმალური კონვექციური შეშფოთებების მაქსიმალური ზრდის ამპლიტუდის დამოკიდებულების კანონი რეილისა და რეინოლდსის რიცხვებზე: \eta_{max}~Re^\alpha Ra^\beta. ზეკრიტიკულ რეილის რიცხვებზე \alpha =0.2, \beta =2, ხოლო ქვეკრიტიკულ რეილის რიცხვებზე \alpha =-0.8, \beta =1.9. მიღებული შედეგები მნიშვნელოვანია კონვექციური აკრეციული დისკების თვისებების დასადგენად, სადაც კონვექციურ მოდებს შეუძლიათ კუთხური იმპულსის გადატანა და გრიგალების გენერაცია სტრატიფიკაციის ზემოქმედების გამო. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შეშფოთებების საწყის სპექტრს, რომელიც განსაზღვრავს განვითარებული კონვექციური მდგომარეობის სტატისტიკურ თვისებებს, და უწყობს თუ არა ხელს ამ ტიპის ტურბულენტობა კუთხური იმპულსის გარეთ გადატანასა და მატერიიც ცენტრალურ ობიექტზე აკრეციას.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
5.	ალექსანდრე ბარნაველი, ნანა შათაშვილი	*Unified generalized model of Dynamo and transient flow*	STEM Workshop on Nanotechnology and

	პოსტერი	*generation in Stellar Atmospheres*	Environmental Sciences, Tbilisi, Georgia, Sep. 4-6, 2015 4 – 6 სექტემბერი, 2015 თსუ, თბილისი http://sdsu-georgia.stem.2015.tsu.ge/en/

მოხსენების ანოტაცია

The unified model of Generalized Dynamo and Reverse Dynamo model in stellar atmospheres based on Magneto-fluid coupling was studied when the effects of flows are included. It is found, that there is a catastrophe in the system – the fast flows are generated due to magneto-fluid coupling. The distance over which acceleration appears is determined by the strength of gravity and degeneracy parameter. Results include:

1. Finding the appropriate physical parameter range for flow generation/acceleration;
2. The possibility of the super-Alfvenic flow generation;
3. The simultaneous possibility of flow acceleration and magnetic field amplification for specific parameters of the system;
4. In specific cases initial background flow can be accelerated 10-30 times leading to the transient jet formation.
5. The parameter range for Magnetic field amplification is indicated.

შესწავლილია განზოგადოებული დინამოსა და შებრუნებული დინამოს გაერთიანებული მოდელი ვარსკვლავთა ატმოსფეროებისათვის მაგნიტო-სითხურ ბმებზე დაყრდნობით, როდესაც გათვალისწინებულია დინებებთან დაკავშირებული ეფექტები. ნაჩვენებია, რომ სისტემაში დაიმზირება კატასტროფა - ფორმირდებიან სწრაფი დინებები მაგნიტო-სითხური ბმების გამო. მანძილი, რომელზეც აჩქარება იწყება, განისაზღვრება გრავიტაციისა და გადაგვარების პარამეტრების სიდიდით. შედეგები ასევე მოიცავენ:

1. მოძებნილია დინების გენერირების/აჩქარებისათვის შესაბამისი ფიზიკური პარამეტრების დიაპაზონი;
2. ზე-ალფვნის დინების ფორმირების შესაძლებლობა;
3. დინების აჩქარებისა და მაგნიტური ველის გაძლიერების ერთდროული შესაძლებლობა სისტემის კონკრეტული პარამეტრებისათვის;
4. კონკრეტულ შემთხვევებში საწყისი დინება შეიძლება აჩქარდეს 10-30-ჯერ, რასაც მივყავართ ტრანზიენტული ჯეტების ფორმირებამდე;
5. მითითებულია პარამეტრების დიაპაზონი მაგნიტური ველის გაძლიერებისათვის.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
6.	ლუკა პონიატოვსკი ალექსანდრე თევზაძე	*Local linear stability of rheological protoplanetary disk flow with granular viscosity*	STEM Workshop on Nanotechnology and Environmental Sciences, Tbilisi, Georgia, Sep. 4-6, 2015 4 – 6 სექტემბერი, 2015 თსუ, თბილისი http://sdsu-georgia.stem.2015.tsu.ge/en/

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

შესწავლილია დიფერენციალურად მბრუნავი პროტოპლანეტარული დისკის წრფივი მდგრადობა დინების აიროვანი და მტვრის კომპონენტის გათვალისწინებით. მტვრის ნაწილაკების დაჯახების ეფექტი აღწერილია ლოკალური რეოლოგიური მოდელის ფარგლებში. ამ მიახლოებაში უგულვებელყოფილია დინების ორკომპონენტიანი ხასიათი და დაჯახებები აღწერილია რეოლოგიური სიბლანტის ძალების გამოყენებით. ღერძულად სიმეტრიული წონასწორული მდგომარეობა მიღებულია რადიალური სტრატიფიკაციის შემთხვევაში, როდესაც ხარისხობრივი კანონით იცვლება სიმკვრივე, წნევა და სიბლანტის რეოლოგიური პარამეტრი. ნაჩვენებია სპირალური ტალღების რეოლოგიური მოდიფიკაცია, როდესაც სიბლანტემ შეიძლება გამოწვიოს წრფივი არამდგრადობა. არამდგრადობის თვისებები დამოკიდებულია ოორტის პარამეტრებსა და რადიალური სტრატიფიკაციის კანონზე. არამდგრადობის ზრდის ინკრიმენტი მაქსიმალურია სპირალური შეშფოთებებისათვის, რომელთა ბრუნვის მიმართულება საწინააღმდეგოა პროტოპლანეტარული დისკის ბრუნვასთან მიმართებაში. არამდგრადობამ შეიძლება გამოწვიოს მტვრის სწრაფი კოაგულაცია, პლანეტების ჩანასახების ფორმირება პროტოპლანეტარულ დისკებში.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
7.	დავით ხუციშვილი	*ქრომოსფერული სპიკულების დოპლერის სიჩქარეებისა და ნახევარსიგანეების დროითი ცვლილებების ასიმეტრია*	13 –17 ივლისი, 2015 თსუ, თბილისი მესამე სტუდენტური კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში http://conference.sens-2015.tsu.ge/lecture/view/308

მოხსენებათა ანოტაციები

მიღებულ იქნა ახალი სერია Hα სპიკულების სპექტროგრამები აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში, 53-სანტიმეტრიანი დიდი კორონოგრაფის დაკვირვებით მზის ქრომოსფეროში 7500 კმ სიმაღლეზე. მიღებული სპექტროგრამები დაკვირვებული არის სპექტროგრაფის მეორე რიგში, სადაც დისპერსია არის 0.96 Å /მმ. დაკვირვებული იქნა 10 სპიკულის დოპლერის სიჩქარე და სპიკულის ნახევარ სიმაღლე, რომელთა კადრების შორის ექსპოზიცია არის 4.5 წამი, დოპლერის სიჩქარეების გაზომვის სიზუსტეა ±0.3 კმ/წმ, ხოლო ნახევარსიგანეების ±0.03 Å . Hα - სპიკულების ნახევარსიგანეებისა FWHM და დოპლერის სიჩქარეების დროის მიხედვით პერიოდულობის დასადგენად გამოვიენეთ მონაცემების არათანაბარი ინტერვალების მქონე პერიოდულობის შესასწავლი "ლომბის პერიოდოგრამების მეთოდი" (Press et al. 1992). ჩვენს გამოთვლებში 95% სანდოობის დონე არის 9.0 სიმძლავრის, ხოლო 99% - 10.7 შესაბამისად. თითქმის ყველა სიხშირისათვის სანდოობის დონე საკმარისად მაღალია. აღმოჩნდა, რომ რხევის პერიოდები ძირითადად მეტია 3 წუთზე (> 180 წმ). პერიოდების უმრავლესობა მოთავსებულია 4 – 9 წუთიან (240-540 წმ) შუალედში. სპიკულების დოპლერის სიჩქარეების და ნახევარსიგანეების პერიოდული ცვლილებების შესადარებლად გამოვიენეთ ცნობილი Low Pass FFT მეთოდი. ათივე

სპიკულისათვის ნათლად ჩანს სპიკულების დოპლერის სიჩქარეების და ნახევარსიგანეების პერიოდულობის დროში ცვლილების ანტიკორელაცია.

ბ) უცხოეთში

1.	ალექსანდრე თევზაძე	*Evolution of magnetic fields in large scale anisotropic MHD flows*	Origin, Evolution and Signatures of Cosmological Magnetic Fields, NORDITA, Stockholm, Sweden, June 2015 http://agenda.albanova.se/conferenceDisplay.py?confId=3988
მოხსენებათა ანოტაციები			
განხილულია ანიზოტროპული მაგნიტოჰიდროდინამიკური მიახლოებები, რომელთა გამოყენებით შესაძლებელია ერთშითხოვანი მიახლოების ფარგლებში ზოგიერთი კინეტიკური არამდგრადობის აღწერა. ნაჩვენებია განსხვავებები CGL, ბრაგინსკის და 16 იმპულსურ მიახლოებებს შორის. შესწავლილია დიდმასშტაბოვანი მაგნიტური ველების ევოლუცია გასაშუალოებული არაწრფივი 16-იმპულსური განტოლების გამოყენებით. ნაჩვენებია კოსმოსური მაგნიტური ველების მილევის კანონი არაწრფივი მჰდ მოდელის ფარგლებში.			

ატომისა და ატომბირთვის ფიზიკის კათედრა

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი პროფესორი **თამაზ კერესელიძე**

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ასოცირებული პროფესორი ზაალ მაჭავარიანი, ასისტენტ პროფესორი მალხაზ გოჩიტაშვილი, ლაბორატორიის გამგე რამაზ ლომსაძე, დავით ქუფარაშვილი, ნინო ცისკარიშვილი, ნუგზარ მოსულიშვილი, ოთარ თაბორიძე.

III. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის
დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
(ეხება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ორატომიანი მოლეკულების მახასიათებელი პარამეტრების გამოთვლა (ატომური და მოლეკულური ფიზიკა)	თამაზ კერესელიძე	თამაზ კერესელიძე, ზაალ მაჭავარიანი
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

II. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ნანონაწილაკების ელექტრული და ოპტიკური თვისებების შესწავლა (ნანონაწილაკების ფიზიკა)	თამაზ კერესელიძე	თამაზ კერესელიძე, ზაალ მაჭავარიანი
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

მიღებულია შტურმის კულონური ფუნქციები სფეროიდალურ კოორდინატთა სისტემაში. ნაჩვენებია, რომ აღნიშნული ფუნქციები წარმოადგენენ იდეალურ საბაზისო ფუნქციებს ორატომიანი მოლეკულური გამოთვლების ჩასატარებლად.

გამოთვლილია ელიფსოიდალური ფორმის ნანონაწილაკის ენერგეტიკული დონეები ფორმის ანიზოტროპიის პარამეტრის მცირე და დიდი მნიშვნელობების შემთხვევაში; შესწავლილია ნანონაწილაკების ოპტიკური თვისებები

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი: DI/27/6-265/13	რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	თამარ ჭელიძე	თამარ ჭელიძე, თამაზ კერესელიძე,

დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

შემუშავებულია ერთნაწილაკოვანი მდგომარეობების (ტალღური ფუნქციების და ენერგეტიკული სპექტრის) გამოთვლის თეორიული მიდგომა ელიფსური ფორმის კვანტური სტრუქტურებისთვის სასრული ბარიერის შემთხვევაში. *ZnO* და GaN ელიფსოიდური ფორმის კვანტურ წერტილებისთვის მიღებული ელექტრონების და ხვრელების ერთნაწილაკოვანი მდგომარეობების საშუალებით გამოთვლილია ექსიტონების და ტრიონების ბმის ენერგიები. ნაწილაკებს შორის ურთიერთქმედება გათვალისწინებულია შეშფო თების თეორიისა და მატრიცის პირდაპირი დიაგონალი-ზაციის მე თო დებით. გამოთვლილია რადიაციული დაშლის ალბათობები კვანტური წერტილების სხვადასხვა ზომების თვის.

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	„ატომურ ნაწილაკთა დაჯახებისას მიმდინარე არადრეკადი პროცესების გამოკვლევა“	რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	რამაზ ლომსაძე	1.მალხაზ გოჩიტაშვილი 2.ნუგზარ მოსულიშვილი

	.ფუნდამენტური კვლევები, ფიზიკა, ატომური ფიზიკა.			3.დავით ქუფარაშვილი 4.ოთარ თაბორიძე 5. ნინო ცისკარიშვილი

დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

პროექტში დასახული იყო ამოცანათა ჩამონათვალი, რომელიც ძირითადად შეეხებოდა ჩაკეტილ ელექტრონული გარსის მქონე ატომურ ნაწილაკთა ურთიერთქმედებას (ტუტე მეტალის იონი ინერტული აირის ატომი) და შედეგად რეალიზებულ არადრეკად პროცესთა მექანიზმების დადგენას. თუმცა პროექტის ფარგლებში ასევე, განხორციელებულია კვლევები ელექტრონების მონაწილეობით ატმოსფერულ მოლეკულებზე დაჯახების დროს 0.7 – 10 კევ ენერგეტიკულ ინტერვალში. აღსანიშნავია, რომ კვლევის ეს სფერო მეტად სპეციფიკურია. საქმე იმაშია, რომ შერჩეული წყვილებისათვის მონაცემები ან საერთოდ არ არსებობს ან არსებულ მონაცემთა საიმედობა დიდი ეჭვის ქვეშ დგას. თავის მხრივ ამ დროს რეალიზებულ არადრეკად პროცესთა შესწავლა (გადამუხტვა, იონიზაცია, წაგლეჯვა, აღგზნება და დისოციაცია), რაც დიფერენციალური და სრული აბსოლუტური კვეთების საიმედო გაზომვას გულისხმობს, მნიშვნელოვანია როგორც ფუნდამენტური კვლევის თვალსაზრისით (არსებული თეორიული მოდელების საიმედო ტესტირება) მათ ასევე უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნიათ ფიზიკისა და ტექნოლოგიების განვითარების თვალსაზრისით (პლაზმის ფიზიკა, მართვადი თერმო- ბირთვული რეაქციები, ამაჩქარებელი ტექნიკა, ატმოსფეროს მაღალი ფენების ფიზიკა და სხვა). მეტიც, ეს ყველაფერი კვლევის ის სფეროა სადაც მიღებული საიმედო მონაცემები ესოდენ აუცილებელია ატომური, მოლეკულური და ოპტიკური ბაზის გასამდიდრებლად.

სამეცნიერო პროექტის განხორციელებისას ჩვენ შევძელით პასუხი გაგვეცა ბევრ საინტერესო შეკითხვებს, რომლითაც ვფიქრობთ მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანეთ აღნიშნულ კვლევებში, რამოდენიმე ათეული წლეულების განმავლობაში, დაგროვილი პრობლემების გადაწყვეტაში. კერძოდ, 1)უპირველეს ყოვლისა ეს ეხება კვლევებისათვის საჭირო დანადგარების შექმნას და ზოგიერთ მათგანზე გაუმჯობესებული კვლევის მეთოდის დანერგვას. ასე მაგალითად, არსებული მასს სპექტრომეტრული ტიპის დანადგარი აღჭურვილი იქნა გაუმჯობესებული განივი ელექტრული ველის მეთოდით. მოხდა ელექტრონების დაყუმბარების პრინციპზე მომუშავე ქრომატო-მასსპექტრომეტრული ტიპის დანადგარის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის დამზერილი სიგნალის კომპიუტერიზაცია „ ლაბვიუს“ პროგრამული უზრუნველყოფით. თითქმის თავიდანაა აღდგენილი ექსპერიმენტული დანადგარი მრავალმუხტიანი იონებით კვლევების ჩასატარებლად და დასრულების სტადიაშია დანადგარი ოპტიკური კვლევების გამოსხივების ფართე არის დასაფიქსირებლად (ვაკუუმური ულტრაიისფერი - ხილული არე).

2) შემდეგ საკვლევ წყვილებზე (Na^+, K^+, Rb^+. Gs^+, O^+, N^+, e, C^{q+}, + He, Ne, Ar, Kr, Xe,H_2, O_2, N_2, CH_4, H_20) მაღალი საიმედობით გაზომილია; გადამუხტვის, იონიზაციის, წაგლეჯვის, აღგზნების და დისოციაციის აბსოლუტური დიფერენციალური და სრული კვეთები. უმრავლეს საკვლევ წყვილებზე დადგენილია გადამუხტვის პროცესის რეალიზაციის მექანიზმები. გამოვლენილია, რომ გადამუხტვის პროცესის შემთხვევაში ადგილი აქვს

დამჯახებელი ნაწილაკის მიერ ელექტრონის ჩაჭერას ძირითად მდგომარეობაში. იონიზაციის პროცესებისათვის შეფასებულია ყველა ის არადრეკადი არხი რომლებმაც შეიძლება წვლილი შეიტანოს იონიზაციის სრულ კვეთებში. აღსანიშნავია, რომ კვლევები K^+ -He, Rb^+ - Ar, Rb^+ - Xe და აქ რეალიზებული არადრეკადი პროცესები ჩვენს მიერ გაზომილია პირველად. მნიშვნელოვანი წინსვლებია შესრულებული აღგზნებულ ნაწილაკთა კვლევის თვალსაზრისით. ასე მაგალითად, მაღალსიხშირული იონების წყაროში ექსპერიმენტული პირობების ცვლილებით ჩვენს მიერ პირველადაა შემუშავებული პირველადი იონების კონაში ცალკეული მეტასტაბილების წილის შეფასების მეთოდი. მნიშვნელოვანი მიღწევა გვაქვს დამჯახებელი იონების ელექტრონული მდომარეობების ინდენტიფიკაციის თვალსაზრისით. ეს შედეგი ჩვენს მიერ დადგენილია O^+ იონების აზოტის N_2 მოლეკულასთან დაჯახებისას, გამოსხივების ხილულ არეში ზოლოვანი სპექტრის გამოკვლევით.

3) ჩვენს მიერ კონსტრუირებულია და დამზადებულია „ კოლოფის“ ტიპის ელექტროსტატიკური ანალიზატორი და ჩატარებულია სისტემატური გაზომვები ენერგეტიკული სპექტრის შესასწავლად და ურთიერთქმედების შედეგად რეალიზებული არხთა დასახლების ალბათობების განსასაზღვრავად და მაშასადამე პროცესთა მექანიზმის დასადგენად. ჩვენს მიერ პირველადაა შესწავლილი Rb^+ - Xe, Rb^+ - Ar, Gs^+ - Xe, K^+ -He დამჯახებელ წყვილთა ენერგეტიკულ დანაკარგთა სპექტრები. ჩვენს მიერ პირველად გამოვლენილია K^+ იონის აღგზნების ინტენსიური ხაზი, ხოლო K^+ -He დამჯახებელი წყვილის მაგალითზე, ასევე ადრე შეუმჩნეველი He ატომის ორელექტრონიანი აღგზნება.

I. 4.

2	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

II.

2	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	ზ. მაჭავარიანი, ა. დორნი	ქართული ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი	N13 (2015)	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველ-წოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;	10
ანოტაციები ქართულ ენაზე					

დინამიური ვარიაციული მეთოდის გამოყენებით შესწავლილია ჰელიუმის ატომის ორჯერადი იონიზაცია ელექტრონული დარტყმით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მალხაზ გოჩიტაშვილი რამაზ ლომსაძე დავით ქუფარაშვილი	აღგზნებისა და დისოციაციის პროცესები ელექტრონების და O^+, K^+ იონების H_2, N_2 , O_2 მოლეკულებთან დაჯახებისას	ქართული ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი, ქესჟ : ფიზიკა. **ID:** 2635 (წარდგენილია 2015 წ. 16 ოქტომბერს და მიღებულია დასაბეჭდად)	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	17

ანოტაციები ქართულ ენაზე

ნაშრომში შესწავლილია პირდაპირი იონიზაციისა და დისოციაციური იონიზაციის პროცესები. პროცესები გამოკვლეულია როგორც ელექტრონების დაყუმბარებით ჯანგბადისა და წყლის მოლეკულებზე, ასევე O^+, K^+ O^+ იონებით ატომურ არგონზე და წყალბადისა და აზოტის მოლეკულებზე. ელექტრონების შემთხვევაში რეალიზებული პროცესების კვეთის ენერგიაზე დამოკიდებულების თავისებურებები განხილულია ელექტრონების 15- 120 ევ ენერგიის ინტერვალში. იონ-მოლეკულურ დაჯახების პროცესებში კვლევა ჩატარდა დამჯახებელი იონების ენერგიის 0.7 – 10კევ დიაპაზონში. გამოკვლეულ იქნა მეტასტაბილური $O^+(^2D)$ და $O^+(^2P)$ იონების როლი როგორც მოლეკულის ასევე დისსოციაციური პროდუქტების აღგზნების პროცესებში. იონურ-მოლეკულურ დაჯახებებში მოლეკულის ორიენტაციის ეფექტის შესწავლის მიზნით გაიზომა აღგზნებული პროდუქტების გამოსხივების სრული კვეთი და პოლარიზაციის ხარისხი. ექსპერიმენტული შედეგების თვისობრივი ახსნა K^+- H_2 წყვილისათვის ჩატარებულია კვაზიმოლეკულურ წარმოდგენაში, კვაზიდიატომური მიახლოების ფარგლებში. გამოვლენილია, რომ დისოციაციური აგზნების პროცესებისათვის მოლეკულური ღერძის მართობული ორიენტაცია (პირვანდელი ნაკადის მიმართ) არის განმსაზღვრელი დაჯახების პროცესში აღგზნებული H(2p) დისოციაციის პროდუქტის წარმოშობაში.

II. 2. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				

2 3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	R.A. Lomsadze, M.R. Gochitashvili, N.O. Mosulishvili R.Ya. Kezerashvili	Post-Conference Proceedings of 4th International Conference on Current Developments in Atomic, Molecular, Optical and Nano Physics with Applications	Department of Physics and Astrophysics, University of Delhi, India	6
ანოტაციები ქართულ ენაზე ტუტე მეტალთა იონების ინერტული აირის ატომებთან დაჯახებისას რეალიზებული არადრეკადი პროცესების კვეთების ზუსტი გაზომვები აღნიშნული ნაშრომი შეეხება Na^+ და K^+ იონების ჰელიუმისა და არგონის ატომებთან დაჯახების ექსპერიმენტულ შესწავლას 0.5 – 10 კევ ენერგიის ინტერვალში. გადამუხტვის, იონიზაციის, წაგლეჯვის და აღგზნების აბსოლუტური კვეთები გაზომილია გაუმჯობესებული განივი ელექტრული ველის, პროდუქტ-იონების კუთხურ და ენერგეტიკულ დამოკიდებულების, დანაკარგთა სპექტრებისა და ოპტიკურ სპექტროსკოპიის მეთოდებზე. მიღებული ექსპერიმენტული შედეგები და ჩვენს მიერ აგებული კორელაციური დიაგრამები გამოყენებულია აღნიშნულ პროცესთა მექანიზმის ანალიზისა და განსაზღვრისათვის.				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	Tamaz Kereselidze,	Physica E	vol. 68	Elsevier	p. 65-71

	Tamar Tchelidze and Roman Ya. Kezerashvili				
	Tamaz Kereselidze, George Chkadua and Pierre Defrance	Molecular Physics	vol. 113	Elsevier	p. 3471-3479
	Tamaz Kereselidze, George Chkadua and J. F. Ogilvie	Molecular Physics	vol. 114	Elsevier	p. 148-161
	Tamar Tchelidze, Tamaz Kereselidze and Teimuraz Nadareishvili	Thin Solid Films	vol. 594	Elsevier	p. 328-332

ანოტაციები ქართულ ენაზე

მიღებულია შტურმის კულონური ფუნქციები სფეროიდალურ კოორდინატთა სისტემაში. ნაჩვენებია, რომ აღნიშნული ფუნქციები წარმოადგენენ იდეალურ საბაზისო ფუნქციებს ორატომიანი მოლეკულური გამოთვლების ჩასატარებლად.

გამოთვლილია ელიფსოიდალური ფორმის ნანონაწილაკის ენერგეტიკული დონეები ფორმის ანიზოტროპიის პარამეტრის მცირე და დიდი მნიშვნელობების შემთხვევაში; შესწავლილია ნანონაწილაკების ოპტიკური თვისებები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	R.A.Lomsadze, M.R.Gochitashvili R.A. Kezerashvili	“Inelastic Processes in Na^+ - Ne, Na^+ - Ar, Ne^+ - Na and Ar^+ - Na collisions in energy range 0-5 – 14 keV.”	**PHYSICAL REVIEW A 92, 062703 (2015).**	APS Journal, American Physical Society	12

ანოტაციები ქართულ ენაზე

ერთი და იგივე დანადგარზე, გაუმჯობესებული კონდესატორის მეთოდით და დაჯახებითი და ოპტიკური სპექტროსკოპიის მეთოდებით გაზომილია გადამუხტვის, იონიზაციის და აღგზნების აბსოლუტური კვეთები Na^+ - Ne და Na^+ - Ar დაჯახებებში 0.5 -10 კევ ენერგიის ინტერვალში. ურთიერთ გადამკვეთ ნაკადთა სპექტროსკოპიის

მეთოდით, Ne^+ - Na და Ar^+ - Na დაჯახებებში, 2-14 კევ ენერგიის ინტერვალში გაზომილია იონიზაციის ენერგიაზე დამოკიდებულების კვეთები. ექსპერიმენტული მონაცემები და სქემატური კორელაციური დიაგრამებია გამოყენებული პროცესთა მექანიზმის ანალიზისა და დადგენისათვის. Na^+ - Ar წყვილისათვის გადამუხტვის პროცესში გამოვლენილია ორი არაადიაბატური არე და შესაძლო რეალიზაციის მექანიზმები ახსნილია. ამავე წყვილზე, არგონის ატომის რეზონანსული ხაზის აღგზნების ფუნქციაში, გამოვლენილია სტრუქტურული ყოფაქცევა. ამ მოვლენის შესაძლო მექანიზმი ახსნილია. Na^+ - Ne და Ne^+ - Na წყვილთა დაჯახებებში, ლანდაუ - ზინერის ფორმულის გამოყენებით, პოტენციალური მრუდეების ფსევდო-გადაკვეთის არეში, განსაზღვრულია მატრიცული ელემენტი და გადასვლის ალბათობა.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	რ.ლომსაძე,	„ნიმუშის კომპონენტების იონიზაციისა და იონური ფრაგმენტაციის ზუსტი გაზომვები ქრომატო მასს-სპექტრომეტრული ტიპის დანადგარზე“.	2015, თსუ, მე-2 კორპუსი

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

მოცემულ შრომაში ჩვენ წარმოვადგენთ ელექტრონებით გამოწვეული, ატომებისა და მოლეკულების იონიზაციის და იონური ფრაგმენტაციის გაზომვის შედეგებს, იონიზაციის ზღურბლური ენერგიიდან 120 ევ - ამდე. შრომაში ზუსტი გაზომვები ჩატარებულია ქრომატო მასს-სპექტრომეტრული ტიპის დანადგარზე. ჩვენს მიერ რეაბილიტირებული ხელსაწყოს მეშვეობით მიღებულია იონიზაციის კვეთების ენერგიაზე დამოკიდებულება იმ შემთხვევაში როდესაც საკვლევი ნიმუში იმყოფება ნებისმიერ აგრეგატულ მდგომარეობაში (თხევადი, აირადი, მყარი). სხვადასხვა ფრაგმენტებისათვის გაზომილია და დადგენილია რეაქციათა წარმართვის ენერგიები და იონიზაციის პოტენციალები 0.5 ევ -ის სიზუსტით. შესწავლილია სხვადასხვა ნიმუშის, ბუნებაში გავრცელების ფარდობითი ინტენსიობა, რაც სხვა ჯგუფების მიერ მიღებულ მონაცემებთან კარგ თანხვედრაშია. ნაშრომში დასახულია პერსპექტივები ქიმიურ რეაქციებში და ელექტრონებით ატომებთან, მარტივ და რთულ მოლეკულებთან დაჯახების დროს რეალიზებული იონიზაციის და იონური ფრაგმენტაციის სრული და პარციალური კვეთების სისტემატური გაზომვების შესახებ, პროცესთა მექანიზმის დადგენის მიზნით.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1	Roman Kezerashvili, Tamaz Kereselidze, Tamar Tchelidze	Energy levels of a particle confined in an ellipsoidal potential well	APS March Meeting, San Antonio, Texas, March 5, 2015 Bulletin of the American Physical Society v. 60, n.1;
ანოტაცია გამოთვლილია ელიფსოიდალური ფორმის ნანონაწილაკის ენერგეტიკული დონეები ფორმის ანიზოტროპიის პარამეტრის მცირე მნიშვნელობების შემთხვევაში			
2.	Tamaz Kereselidze, Tamar Tchelidze.	Defect Composition in Acceptor doped Quantum structures	20-25 სექტემბერი 2015 Bad Staffelstein, Germany
ანოტაცია შესწავლილია ვერცხლით ლეგირებული თუთიის ოქსიდის კვანტური ორმოებსა და სადენებში ხვრელური გამტარობის განხორციელების პერსპექტივები. მიღებულია, რომ კვანტურ სადენებში არსებობს რადიუსის ოპტიმალური დიაპაზონი სადაც შესაძლებელია ხვრელური გამტარობის მიღება, ხოლო კვანტურ ორმოებში ხვრელური გამტარობის გაუმჯობესება არ არის მოსალოდნელი			
3	Zaal Machavariani, Tamar Tchelidze	Coulomb impurity effects on Optical Property of Ellipsoidal Quantum Dots in Semiconductor	20-25 სექტემბერი 2015 Bad Staffelstein, Germany
ანოტაცია We investigated the influence of the presence of ionized impurity on optical spectra of semiconductor ellipsoidal quantum dots (EQD). For this purpose we calculated eigenfunctions and eigenvalues of electron confined in EQD containing Coulomb impurity. For this purpose first we consider an ellipsoidal quantum dot with rotational symmetry around a given axis (the z axis) and call c and a its axes along the z and x-y directions, respectively. As a model of confining potential we consider the potential that is zero inside the ellipsoid and it is infinity outside. Such model is acceptable either for a quantum dot of a large volume or when the band gap at the interface is sufficiently large . Using the standard variable change technique			

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	გიორგი თაყაძე (სტ.) და რამაზ ლომსაძე.	”Ionization and ionic fragmentation for the components of a sample by electron collision	23-30 ივლისი, 2015 ესპანეთი, ქ. ტოლედო
2	რამაზ ლომსაძე	“Inelastic processes in low-energy Na^+ -Ar, K^+- Ar and K^+ -He collisions”.	23-30 ივლისი, 2015 ესპანეთი, ქ. ტოლედო
		“Dissociation, dissociative excitation and ionization	23-30 ივლისი, 2015

3	რამაზ ლომსაძე,	processes for H_2O, N_2, and O_2 molecules by electron bombardment”	ესპანეთი, ქ. ტოლედო
4	რამაზ ლომსაძე	Inelastic Processes in closed shell particle collisions	11-14 მარტი, 2015 ინდოეთი, ქ.დელის უნივერსიტეტი
5	რამაზ ლომსაძე	Inelastic processes in collisions of Na^+, K^+, Rb^+ ions with He and Ar atoms.	8-12 ივნისი, 2015 აშშ, ოჰაიოს შტატი, ქ.კოლომბოსი

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1. ნაშრომში განხილულია ატომების და მოლეკულების იონიზაცია და იონური ფრაგმენტაცია ზღურბლური ენერგიიდან 120ევ-ამდე. გაზომვები ჩატარებულია კვადრუპოლური მასს-სპექტრომეტრულ ტიპის დანადგარზე. ნიმუშთა მასათა სპექტრები გაზომილია 0.4 მაე–ის სიზუსტით 2 დან 1000მაე. შრომის მნიშვნელოვანი ნაწილი მიმართულია რეაქციათა წარმართვის ზურბლის დადგენაზე. განსაზღვრულია აგრეთვე ზოგიერთი ელემენტის ბმის და იონიზაციის პოტენციალები. ნაშრომში მოცემულია კვეთის ენერგიაზე დამოკიდებულებები.

2. გაზომილია გადამუხტვის, იონიზაციის, წაგლეჯვის და აღგზნების კვეთები Na + -Ar, K+ - Ar და K+ -He დამჯახებელი წყვილებისათვის 0.7-7.0 კევ ის ენერგიის ინტერვალში. ექსპერიმენტულ მონაცემებზე დაყრდნობით და კორელაციური დიაგრამების გამოყენებით ახსნილია აღნიშნულ პროცესთა მექანიზმები.

3. წარმოდგენილია N_2^+, O_2^+, N^+ O^+ იონების წარმოქმნის კვეთები დაბალი ენერგიის ელექტრონების შემთხვევაში (ზღურბლიდან 400 ევ-ამდე) ელექტრონებით ჟანგბადისა და აზოტის მოლეკულებთან დაჯახებებისას გაზომილია დისოციაციური პროდუქტების N, O და N^+ და O^+ აღგზნების ფუნქციები შედარებით მაღალი (200 – 400 ევ) ენერგიის ინტერვალში. გამოსხივების სპექტრში დამზერილია ინტენსიური ჟანგბადის ატომური იონის სპექტრული ხაზი (83.4 ნმ). ნაჩვენებია, რომ ამ ხაზის აღგზნება გამოწვევულია ჟანგბადის მოლეკულაში შიდა ვაკანსიის წარმოქმნით.

4. გადამუხტვის, იონიზაციის, წაგლეჯვის და აღგზნების კვეთები გაზომილია K^+ - He და Rb^+- Ar დაჯახებებში 0.7 – 7.0 კევ ენერგიის ინტერვალში. აღნიშნული წყვილებისათვის აგებულია კორელაციური დიაგრამები და ახსნილია პროცესთა წარმართვის მექანიზმები. K^+ - He წყვილისათვის ისევე როგორც Rb^+- Ar წყვილისათვის ნაჩვენებია, რომ გადასამუხტვას ადგილი აქვს ელექტრონის ჩაჭერით ძირითად მდგომარეობაში. იონიზაციის მექანიზმი დაკავშირებულია

რეალიზებული არხების კვაზიმოლეკულური თერმების დასახლებასთან და მათ შემდგომ დაშლასთან.

5. ნაშრომში წარმოდგენილია გადამუხტვის, იონიზაციის, წაგლეჯვის და აღგზნების აბსოლუტური კვეთები Na^+- Ar, K^+ - He და Rb+ - Ar დაჯახებებში. საკვლევი ენერგიის ინტერვალი შეადგენდა 0.7- 7.0 კევ. ექსპერიმენტული კვლევები ჩატარებულია გაუმჯობესებული კონდენსატორის მეთოდით, დაჯახებითი და ოპტიკური სპექტროსკოპიის მეთოდებით.ნაჩვენებია, რომ K^+ - He და Rb+ - Ar დაჯახებებში გადამუხტვის პროცესი რეალიზდება ელექტრონის ჩაჭერით ძირითად მდგომარეობაში. ყველა საკვლევი წყვილისათვის გამოკვლეულია იონიზაციის მექანიზმები. K^+ - He წყვილზე წაგლეჯვის კვეთი დაკავშირებულია დიაბატური თერმის უწყვეტ სპექტრში გასვლასთან. ხოლო რაც შეეხება წყვილების Na^+- Ar და Rb+ - Ar შემთხვევას ,წაგლეჯვის კვეთები დამზერილი არ იქნა.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1				
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

IV. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1				
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

ელემენტარული ნაწილაკების და კვანტური ველების კათედრა

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: პროფ. **მერაბ ელიაშვილი.**

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:
  ა) მერაბ ელიაშვილი – სრული პროფესორი
  ბ) მერაბ გოგბერაშვილი – ასოცირებული როფესორი
  გ) გიორგი ციციშვილი – ასისტენტ პროფესორი
  ბ) თეიმურაზ ნადარეიშვილი – ასისტენტ პროფესორი

I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	სპინის ფიზიკა(თეორია). თვითშეუღლების გაფართოების პროცედურის კვლევა არარელატივისტურ და ერთ და ორნაწილაკოვან რელატივისტურ განტოლებებში. ფიზიკა. თეორიული ფიზიკა.	ანზორ ხელაშვილი	ანზორ ხელაშვილი, თეიმურაზ ნადარეიშვილი

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

სამუშაო ჯერ არ არის დასრულებული. ამ ეტაპზე კი, 2015 წელს მიღებულია შემდეგი შედეგები:
1. ცნობილია აგსხ ოპერატორებისათვის ინტეგრალური განტოლებების ისეთი ფორმულირება, როდესაც ისინი აკმაყოფილებენ 3-განზომილებიან განტოლებებს (ნაცვლად 6-განზომილებიანისა) და ეფექტური პოტენციალები შეიძლება ნაპოვნი იქნას ფადდევის მსგავსი განტოლებებიდან. ამ ფორმულირებაში დაუშვებელია სხვადასხვა მიახლოებითი მეთოდი და მას აქვს მრავალი უპირატესობა ზოგიერთი პრობლემის შესწავლისას. ჩვენ ვიყენებთ გრინის ფუნქციების სპექტრალურ წარმოდგენას და ვაჩვენებთ, რომ ყველა პოზიტიური თვისება აგსხ განტოლებებისა ძალაში რჩება და ამავდროულად ეფექტური პოტენციალები მარტივდება.
2. შესწავლილია ლაპლასის ოპერატორის სინგულარული ყოფაქცევა სფერულ კოორდინატებში. ნაჩვენებია, რომ სრული შრედინგერის განტოლებიდან დაყვანილ რადიალურ განტოლებაზე გადასვლის წარმოიქმნება დელტა ფუნქციის მაგვარი დამატებითი წევრი. გამოკვლეულია თუ რაპირობებში შეიძლება "მოვიშოროთ" ეს წევრი. კერძოდ დადგინდა, რომ ამ წევრის მოსაშორებლად აუცილებელი და საკმარისი

პირობაა ის, რომ რადიალური ტალღური ფუნქცია საკმარისად სწრაფად ეცემოდეს სათავეში. კონკრეტულ მაგალითებზე განხილულია ამ დაკვირვებიდან გამომდინარე რამდენიმე ფიზიკური შედეგი.

3. უსპინო ნაწილაკების რელატივისტურ კლაინ-გორდონის განტოლებაში კულონური პოტენციალისთვის წარმოიქმნება ზედმეტი (სინგულარული) ამოხსნები, რომლებიც კვანტური მექანიკის აპარატის ყველა მოთხოვნას (ნორმირებადობა, ორთოგონალურობა, ნორმის დროზე დამოუკიდებლობა და ა.შ.) აკმაყოფილებენ. ასეთი ამოხსნის (ჰიდრინო, მცირე წყალბადი) დაკვირვება მნიშვნელოვანი იქნებოდა სხვადასხვა ახალი ფიზიკური მოვლენის დამზერისათვის.

1 2 3 4	**Tsintsadze, N. L.**; Shah, H. A.; Qureshi, M. N. S.; Tagviashvili, M. N.	Properties of solitary ion acoustic waves in a quantized degenerate magnetoplasma with trapped electrons (*Physics of Plasmas, 2015*)	ტომი 22, გამოცემა 2, id.022303	Institute of Physics (IoP) Publishing	
გამოკვლეულია იონურ-აკუსტიკური სოლიტონური ტალღები ძლიერად და სუსტად დაკვანტულ გადაგვარებულ მაგნეტოპლაზმაში. ნაჩვენებია, რომ სინგულარული წერტილი ცხადად ჰყოფს გარე მაგნიტური ველით გამოწვეულ სუსტ და ძლიერ დაკვანტვის არეებს. მაგნიტური ველის გავლენა $\eta 0=\hbar\omega ce/\varepsilon Fe$ პარამეტრის და მახის რიცხვის საშუალებით არის დახასიათებული და მისი					

როლი სოლიტონური სტრუქტურების ფორმირებაზე გამოკვლეულია ორივე ამ შემთხვევაში და შედეგები წარმოდგენილია გრაფიკულად.					
1 2 3	Berezhiani, V. Shatashvili, N. **Tsintsadze, N.**	Electromagnetic solitons in degenerate relativistic electron-positron plasma (*Physica Scripta, 2015*)	ტომი 90, გამოცემა 6, id. 068005	Institute of Physics (IoP) Publishing	5
გამოკვლეულია სოლიტონური ტიპის ელექტრომაგნიტური ტალღების არსებობა სრულად გადაგვარებულ ელექტრონულ-პოზიტრონულ პლაზმაში რელატივისტური ჰიდროდინამიკის და მაქსველის განტოლბების გამოყენებით. წრიულად პოლალიზებული ტალღებისთვის ნაჩვენებია, რომ სოლიტონური ამონახსნები არსებობს როგორც რელატივისტურ, ასევე არარელატივისტურ გადაგვარებულ პლაზმაში. პლაზმის სიმკვრივე სოლიტონის ლოკალიზების არეში მნიშვნელოვნად მცირდება. გამომდინარე აქედან, ასევე ნაჩვენებია პლაზმური კავიტაციის არსებობის შესაძლებლობა.					
1 2 3	**Tsintsadze, N.** Sigua, K. Tsintsadze, L.	Some Aspects of Statistical Thermodynamics of a Magnetized Fermi Gas (გაგზავნილია *Phys. Rev. Lett, 2015*)		Institute of Physics (IoP) Publishing	7
ნაჩვენებია, რომ ლანდაუს ძირითად დონეზე ფერმის გაზი მაინც რჩება სამგანზომილებიანი ნებისმიერი მაგნიტური ველისთვის, ადრეული მოსაზრების საწინააღმდეგოდ, სადაც ითვლებოდა, რომ ფერმის გაზის წნევის პერპენდიკულარული კომპონენტი ქრება ლანდაუს ძირითად დონეზე და გამომდინარე აქედან, იგი ხდება მკაცრად ორგანზომილებიანი გაზი.					
1 2 3	Gibbons, P. **Mamatsashvili, G.** Rice, W.K.M.	Planetesimal formation in self-gravitating discs - dust trapping by vortices (*Mon. Not. R. Astron. Soc., 2015*)	ტომი 453, გამოშვება 4, გვ. 4232	Oxford Uni. Press	10
პროცესი რის შედეგადაც მეტრის ზომის ქვები იზრდებიან კილომეტრის ზომის პლანეტეზიმალებად პლაზმურ პროტოპლანეტარულ დისკებში, წარმოადგენს აქტიური კვლევის საგანს, რადგან ის მნიშვნელოვანია პლანეტების წარმოქმნისთვის ასეთ დისკებში. კარგად არის ცნობილი, რომ პლაზმის შემკვრივებები დისკში წარმოადგენს ნაწილაკების შეგროვების ადგილს, სადაც ამ უკანასკნელის კონცენტრაცია იმატებს, იმდენად რომ ისინი განიცდიან კოლაფსს საკუთარი გრავიტაციის გამო, რაც პლანეტეზიმალებს წარმოქმნის წინაპირობაა. ნაშრომში რიცხვითი მოდელირების საშუალებით, გამოკვლეულია მასიურ თვით-გრავიტირებად პლაზმურ დისკებში ანტიციკლონური ტრანზიენტული გრიგალების მიერ ნაწილაკების ჩაჭერის მოვლენა. ნაჩვენებია, რომ ასეთი გრიგალური სტრუქტურები მეტად ეფექტურად ახდენენ იმ ნაწილაკების ჩაჭერას, რომელთა ხახუნის მახასიათებელი დრო სადარია ან ნაკლებია დისკის ბრუნვის პერიოდზე. ეს იწვევს გრიგალების ადგილას ნაწილაკთა სიმკვრივის მატებას, რომელიც სადარია ნაწილაკების სიმკვრივისა სპირალურ ტალღებში, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ნაწილაკთა გრავიტაციულ კოლაფსს და ბმული სტრუქტურების წარმოშობას.					
1 2 3 4	Bodo, G. **Mamatsashvili, G.** Rossi, P. Mignone, A.	Linear stability analysis of magnetized jets: the rotating case (გაგზავნილია *Mon. Not. R. Astron. Soc., 2015*)		Oxford Uni. Press	22

შესწავლილია დამაგნიტებული დიფერენციალურად მბრუნავი პლაზმის წრფივი მდგრადობა ნულოვანი წნევის მიახლოებაში. გამოკვლეულია ბრუნვის როლი დენით გამოწვეულ არამდგრადობაზე და ახალი მოდები, რომლებიც გამოწვეულია ბრუნვის არსებობით. ეს მოდებია მაგნეტობრუნვითი მოდა და მაგნეტო-ცენტრიფუგალური მოდა. ამ უკანასკნელის არამდგრადობა მსგავსია პარკერის არამდგრადობის, სადაც გრავიტაციული ძალის როლს ასრულებს ცენტრიდანული ძალა. დენით გამოწვეული არამდგრადობა ხასიათდება დიდი ტალღის სიგრძით და მნიშვნელოვანია მცირე ბრუნვის შემთხვევაში. ბრუნვის სიჩქარის გაზრდასთან ერთად, მაგნეტო-ცენტრიფუგალური მოდა ხდება დომიანტური და ხასიათდება მცირე ტალღის სიგრძეებით.					
1 2 3 4 5 6	**Mamatsashvili, G.** Dong, S. Khujadze, G. Chagelishvili, G. Jimenez, J. Foysi, H.	Dynamics of homogeneous shear turbulence – a key role of the nonlinear transverse cascade in the bypass concept (გაგზავნილია *Phys. Rev. E, 2015*)		Institute of Physics (IoP) publishing	22
შესრულებულია ერთგვაროვანი წანაცვლებითი ტურბულენტობის პირდაპირი რიცხვითი თვლები სპექტრალურად მდგრადი სუბკრიტიკული ტურბულენტობის თვითშენაჩუნების მექანიზმის გასააზრებლად. ტურბულენტობის დინამიკა გაანალიზებულია სპექტრალურ სივრცეში თვლის ბოქსის გვერდების სიგრძეების სხვადასხვა ფარდობის დროს. ნაჩვენებია, რომ წრფივი პროცესების ანიზოტროპია განაპირობებს არაწრფივი პროცესების ანიზოტროპიასაც, რაც გამოიხატება იმაში, რომ მთავარი არაწრფივი პროცესები არის არა პირდაპირი ან შებრუნებული კასკადი, არამედ განივი კასკადი - ჰარმონიკების კუთხური გადანაწილება სპექტრალურ სივრცეში. ასევე ნაჩვენებია, რომ ტურბულენტობა ნარჩუნდება წრფივი ტრანზიენტული, ანუ, არამოდალური წრდისა და არაწრფივი გვერდითი კასკადის სპეციფიური თანაქმედებით. ეს სპეციფიური თანაქმედება ძირითადად ხდება დიდი მასშტაბის ჰარმონიკებში რომელთა ზომა ბოქსის ზომის თანადარია. შესაბამისად, სპექტრალური სივრცის ეს დიდმასშტაბოვანი არეალი გადამწყვეტია - ტურბულენტობის თვითშენარჩუნების პროცესები ძირითადად აქაა თავმოყრილია. მას ტურბულენტობის თვითშენარჩუნების სასიცოცხლო არეალი ვუწოდეთ. სასიცოცხლო არეალის გარეთ, ფურიე ჰარმონიკების ენერგია გადაიტანება დისიპატიურ მასშტაბებამდე ჩვეულებრივი წრფივი კასკადით. მიუხედავად იმისა, რომ კასკადებისა და, ზოგადად, ტურბულენტობის თვითშენარჩუნების პროცესები თვისობრივად მსგავსია თვლის ბოქსის გვერდების სიგრძეების სხვადასხვა ფარდობის დროს, ადგილი აქვს გარკვეულ რაოდენობრივ სხვაობას - ჰარმონიკათა რიცხვი, რომლების აქტიურ მონაწილეობას იღებენ თვითშენარჩუნების პროცესში მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული გვერდების სიგრძეების ფარდობაზე (36, 86, 209 ჰარმონიკა შრომაში განხილული გვერდების სიგრძეების ფარდობებისათვის). ეს მიუთითებს, რომ ჰომოგენური წანაცვლებითი ტურბულენტობის თვითშენარჩუნების პროცესი მეტად რთულია და არ აღიწერება დაბალი რიგის მოდელებით.					

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
	ნოდარ ცინცაძე	პლაზმის ფიზიკის შესწავლა კონდენსირებულ გარემოში	მესამე საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, თსუ. 2-7 თებერვალი 2015 (http://conference.ens-2015.tsu.ge/lecture/view/101)
მიმოხილვით მოხსენებაში განხილული იქნება პლაზმის ფიზიკაში დინამიური პროცესების შესწავლა ქართველი ფიზიკოსების მიერ. პირველ ეტაპზე შესწავლილი იყო არაწრფივი			

მოვლენები ცხელ ელექტრონ-იონურ პლაზმაში. ნაწინასწარმეტყველი იყო ძლიერი ელექტრომაგნიტური ველით პლაზმის რელატივისტური რეზონანსული გაცხელება, რამაც საფუძველი ჩაუყარა რელატივისტური სიმძლავრის გამოსხივების თეორიის შექმნას არაწონასწორულ პლაზმაში. ბოლო წლებში აღმოჩნდა, რომ პლაზმური ეფექტები მნიშვნელოვან როლს თამაშობს გამტარებსა და ნახევარგამტარებში. ამიტომ შეიქმნა და ეხლაც ვითარდება კვანტური გადაგვარებული გაზების ფიზიკა.			
1 2 3	**ნოდარ ცინცაძე** ლ. ცინცაძე ქ. სიგუა	დამაგნიტებული ფერმის გაზის სტატისტიკური თერმოდინამიკის ზოგიერთი ასპექტი	მესამე საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, თსუ. 2-7 თებერვალი 2015 (http://conference.ens-2015.tsu.ge/lecture/view/100)
ჰ. ი. ჩიუმ და ვ. კანუტომ შეისწავლეს მაღალი სიმკვრივის ნივთიერების თვისებები ძლიერ მაგნიტურ ველში და აჩვენეს, რომ ლანდაუს ძირითად დონეზე l=0 (სადაც l=0,1,2, არის ორბიტალური კვანტური რიცხვი და სპინი s=-1/2), წნევა მაგნიტური ველის პერპენდიკულარული მიმართულებით ხდება ნულის ტოლი. ჩვენ უფრო დეტალურად შევისწავლეთ ეს ამოცანა და ვაჩვენეთ, მათ შორის, რომ მათი შედეგი როცა l=0 და s=-1/2 არ არის სამართლიანი.			
1	**გიორგი მამაცაშვილი**	მაგნეტობრუნვითი არამდგრადობა დიფერენციალურად მბრუნავ პლაზმურ დინებებში	მესამე საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, თსუ. 2-7 თებერვალი 2015 (http://conference.ens-2015.tsu.ge/lecture/view/113)
მოხსენებაში განხილულია მაგნეტობრუნვით არამდგრადობას დიფერენციალურად მბრუნავ პლაზმურ დინებებში სადაც ძირითადი მაგნიტური ველი მიმართულია დინების პარალელურად. ასეთი ტიპის პლაზმური დინებები ხშირად გვხვდება ლაბორატორიაში, თერმობირთვულ დანადგარებში, გეოფიზიკასა და ასტროფიზიკაში, ამიტომ მათი მდგრადობის საკითხის შესწავლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა ამ სისტემების ზოგადი დინამიკისა და ევოლუციის გასაგებად. მაგნეტობრუნვითი არამდგრადობა გამოწვეულია პლაზმური დინების წანაცვლების და მაგნიტური ველის ერთობლივი მოქმედებით და კარგად აღიწერება მაგნეტოჰიდროდინამიკური განტოლებებით. შესწავლილია ეს არამდგრადობას ჯერ წრფივ მიახლოებაში, შედარებით ახალი - არამოდალური - მიდგომის გამოყენებით და რაოდენობრივად დავახასიათებთ მისი ზრდის ინტენსივობას. შემდეგ, დახასიტებულია მისი არაწრფივ განვითარება და, კერძოდ, წარმოშობილი ტურბულენტობის დინამიკა რიცხვითი სიმულაციების გამოყენებით.			
1 2	გრიგოლ ფერაძე (ბაკალავრიატის IV კურსის სტუდენტი) **ნოდარ ცინცაძე**	იონური ბგერის შესწავლა ფერმი სითხეში ახალი კვანტური კინეტიკური განტოლების საფუძველზე	მესამე საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, თსუ. 2-7 თებერვალი 2015 (http://conference.ens-2015.tsu.ge/lecture/view/287)
ამ ნაშრომში ჩვენ შევისწავლით სპეციალური ბუნების ტალღებს, რომლებიც შეიძლება გავრცელდეს კვანტურ ფერმი სითხეში, როგორიცაა He3, აბსოლუტურ ნულთან ძალიან ახლო ტემპერატურებზე. ეს უკავშირდება ელემენტარული აღგზნებების, რომლებიც გვხვდება ფერმი სითხეში, განაწილების ფუნქციის წანაცვლებას წონასწორობის მდგომარეობიდან. ნულოვანი ბგერის სიჩქარე C{0} განსხვავდება ჩვეულებრივი ბგერის სიჩქარისაგან, რომელიც			

დამოკიდებულია სითხის სიმკვრივეზე. ნულოვანი ბგერის არსებობა იწინასწარმეტყველა ლ. ნ. ლანდაუმ 1957 წელს. ნულოვანი ბგერა ექსპერიმენტზე დაიკვირვა თხევად He3-ზე ამერიკელი ფიზიკოსების აბელის, ანდერსონისა და უეტლის მიერ 1966 წელს. გარკვეულ პირობებში, ნულოვანი ბგერა შეიძლება არსებობდეს მეტალებშიც, სადაც ელექტრონები და იონები ქმნიან კვანტურ ფერმი სითხეს. მოგვიანებით ნ. ლ. ცინცაძემ განავრცო ლანდაუს დისპერსიის დამოკიდებულება ნულოვანი ბგერისათვის კვანტური შესწორებით, ახალი კვანტური კინეტიკური განტოლების გამოყენებით. აჩვენა რომ ელექტრონების ნულოვანი ბგერა შეიძლება არსებობდეს იდეალურ ფერმი სითხეში, მაშინაც კი როდესაც ნაწილაკებს შორის ურთიერთქმედება არ გვაქვს. ასეთ შემთხვევაში ნულოვანი ბგერის არსებობა მთლიანად განპირობებულია კვანტური ეფექტებით. ჩვენ შევისწავლით იონურ ნულოვან ბგერას ახალი კვანტური კინეტიკური განტოლების საფუძველზე, მივიღებთ დისპერსიის გამოსახულებას ელექტრონ იონური კვანტური პლაზმისათვის და განვიხილავთ მის ზღვრულ შემთხვევებს.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3	**G. Mamatsashvili** G. Khujadze G. Chagelishvili	Homogeneous shear turbulence – bypass concept via interplay of linear transient growth and nonlinear transverse cascade	Multiflow Summer Workshop, Politechnical University of Madrid, Madrid, Spain, 25 May-26 June, 2015 (http://torroja.dmt.upm.es/summer15/index.html)

ერთგვაროვანი, კლასიკური წარმოდგენებით მგრადი, წანაცვლებითი დინებების ტურბულენტობის დინამიკა გაანალიზებულია სპექტრალურ სივრცეში ტოლი გვერდების მქონე თვლის ბოქსის დროს. ნაჩვენებია, რომ მთავარი არაწრფივი პროცესები არიან არა პირდაპირი ან შებრუნებული კასკადი, არამედ გვერდითი კასკადი - ჰარმონიკების კუთხური გადანაწილება სპექტრალურ სივრცეში. ნაჩვენებია, რომ განხილული ტურბულენტობის თვითშენარჩუნების პროცესი მეტად რთულია და ჰარმონიკათა რიცხვი, რომლების აქტიურ მონაწილეობას იღებენ თვითშენარჩუნების პროცესში დიდია. ამდენად, ამ ტურბულენტობის აღწერა დაბალი რიგის მოდელებით შეცდომაში შემყვანია. **გაგზავნილია შესაბამისი სტატია მოხსებათა კრებულში.**

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	დამაგნიტებული ჯეტების მდგრადობის ანალიზი (პლაზმის ფიზიკა, ასტროფიზიკა)	ჯ. ბოდო (ტურინის ობსერვატორია)	ჯ. ბოდო **გ. მამაცაშვილი** ა. მინიონე პ. როსი	იტალიის ნაციონალური ასტროფიზიკური ინსტიტუტი
ჩვენ გავაკეთეთ დამაგნიტებული მბრუნავი ცილინდრული ჯეტის მდგრადობის წრფივი ანალიზი. ვაჩვენეთ, რომ ასეთ დინებაში არსებობს არამდგრადობის რამდენიმე მოდა: კელვინ-ჰელმჰოლცის, დენით-გამოწვეული, მაგნეტო-ცენტრიფუგალური და მაგნეტობრუნვითი. კელვინ-ჰელმჰოლცის არამდგრადობას ადგილი აქვს მცირე დამაგნიტების დროს და ბრუნვა მასზე გავლენას არ ახდენს. დენით გამოწვეულ არამდგრადობას ადგილი აქვს დიდი დამაგნიტებულობებისთვის და ზრდის ინკრემენტი მცირდება ბრუნვის კუთხური სიჩქარის ზრდასთან ერთად. მაგნეტო-ცენტრიფუგალური მოდის ზრდის ინკრემენტი კი პროპორციულია ბრუნვის კუთხური სიჩქარის კვადრატის და შესაბამისად ეს მოდა დომინანტური ხდება ბრუნვის კუთხური სიჩქარის მომატებიასას და ხასიათდება პატარა ტალღის სიგრძით.				

	სუბკრიტიკული ტურბულენტობა სამგანზომილებიან ბრტყელ წანაცვლებით დინებებში – თვით-შენარჩუნება წრფივი ტრანზიენტული ზრდის და არაწრფივი განივი კასკადის თანამოქმედებით	**გ. მამაცაშვილი**	გ. მამაცაშვილი გ. ჩაგელიშვილი გ. ხუჯაძე	ულტიფლოწ შუმმ ჭორკსჰოპ, 25 აჟ-2 ჟუნე, 2015, უროპეან ღესეარც ჩოუნცილ
ერთგვაროვანი, კლასიკური წარმოდგენებით მგრადი, წანაცვლებითი დინებები ტურბულენტობის დინამიკა გაანალიზებულია სპექტრალურ სივრცეში ტოლი გვერდები მქონე თვლის ბოქსის დროს. ნაჩვენებია, რომ მთავარი არაწრფივი პროცესები არიან არ პირდაპირი ან შებრუნებული კასკადი, არამედ გვერდითი კასკადი - ჰარმონიკების კუთხურ გადანაწილება სპექტრალურ სივრცეში. ნაჩვენებია, რომ განხილული ტურბულენტობი თვითშენარჩუნების პროცესი მეტად რთულია და ჰარმონიკათა რიცხვი, რომლების აქტიუ მონაწილეობას იღებენ თვითშენარჩუნების პროცესში დიდია. ამდენად, ამ ტურბულენტობი აღწერა დაბალი რიგის მოდელებით შეცდომაში შემყვანია.				

IV. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხო-ური გრანტი)

1				
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

IV. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1				
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

რადიოფიზიკა, ფიზიკური პროცესების მოდელირება

- **სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი:**

ო. ხარშილაძე

- **სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:**

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

N	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	„ გეოკოსმოსურ სივრცეში უდს ელექტრომაგნიტური ტალღური სტრუქტურების არაწრფივი დინამიკის ექსპერიმენტული კვლევა და რიცხვითი მოდელირება “	ოლეგ ხარშილაძე	
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
	. სიგნალების დამუშავების და მოდელირებისათვის თანამედროვე რადიოფიზიკა იყენებს არაწრფივი დინამიკის კვლევის მეთოდებს, რომლებიც კარგადაა დამუშავებული კომპიუტერულ მათემატიკურ სისტემა „მატლაბში“. ეს მეთოდები საშუალებას იძლევიან გამოვავლინოთ სიგნალის როგორც დეტერმინირებული ასევე სტოქასტური მდგენელები. ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა მიღებული ექსპერიმენტალური მონაცემების დროითი მწკრივების საშუალებით ავაგოთ ფიზიკური პროცესის რიცხვითი მოდელი პროცესების შემდგომი პროგნოზირებისთვის. სააგნარიშო პერიოდში კვლევა წარმოებდა გეოკოსმოსურ სივრცეში პლაზმური შეშფოთებების და დედამიწის ქერქში დამზერილი სიგნალების არაწრფივი ანალიზისა და მოდელირების მიმართულებით. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა გეგმით გათვალისწინებული კვლევები დედამიწის ახლომდებარე კოსმოსურ გარემოში (იონოსფერო, მაგნიტოსფერო) ფიზიკურ და დინამიურ პროცესებზე თანამედროვე თანამგზავრულ სისტემებზე განლაგებული მაღალმგრძნობიარე სენსორული დანადგარებით მიღებული მონაცემების დამუშავებისათვის. ამ ტიპის ექსპერიმენტული მონაცემები საშუალებას იძლევა შეფასდეს ე.წ. „კოსმოსური ამინდის“ პარამეტრები, რაც მნიშვნელოვანია კოსმოსური რისკების შესაფასებლად, შტორმული პროცესების დინამიკის შეფასებისა და შესწავლისათვის. მიღებული მონაცემების საშუალებით ჩავატარეთ დედამიწის მაგნიტოსფეროსა და იონოსფეროში პლაზმური დინებების არაერთვაროვნების შეფასება, რიცხვითი მოდელირების ბაზაზე სისტემა		

„მატლაბში“ სწრაფი ფურიე გარდაქმნის ალგორითმის, სპექტროგრამების, რეკურენტული გრაფიკების და ვეივლეტ-ანალიზის გამოყენებით ტურბულენტური დინებების გამოკვლევა. კოსმოსურ დინებებში გრიგალური სტრუქტურების თვისებების შესასწავლად ჩატარებულია მაგნიტოსფერული მრავალთანამგზავრული (THEMIS, CLASTER) მონაცემების კვლევა არაწრფივი დინამიკის მეთოდების გამოყენებით. ასეთ სტრუქტურებში გამოვლენილია სუპერდიფუზიის და პერკოლაციის ეფექტები.

მიღებული ექსპერიმენტალური მონაცემების დამუშავების და მათი ფიზიკური და თეორიული ინტერპრეტაციის მიზნით შეიქმნა პლაზმური შეშფოთებების არაწრფივი დინამიკის აღმწერი ფიზიკური მოდელები. ამ მოდელებში გათვალისწინებულია შეშფოთებების გეოკოსმოსურ სივრცულად არაერთგვაროვან დინებებთან ურთიერთქმედების არაწრფივი მექანიზმები. ამ დინებებიდან ენერგეტიკულად ყველაზე მნიშვნელოვანია ზონალური ტიპის დინებები და გეოკოსმოსური გარემოს დინამიკისათვის მნიშვნელოვანია ზონალური დინებების პლანეტარული მასშტაბის ტალღებთან ურთიერთქმედების მექანიზმების დადგენა და ამ პროცესების თეორიული ანალიზი და რიცხვითი მოდელირება. იონოსფერულ ზონალურ წანაცვლებით დინებების და პლანეტარული მასშტაბის მოდიფიცირებული როსბის ტალღების წრფივი კავშირი შესწავლილია არამოდალური მიდგომის საფუძველზე. ნაჩვენებია, რომ ამ კავშირის შედეგად, მოდიფიცირებული როსბის ტალღები აგენერირებენ უდს ელექტრომაგნიტურ ტალღებს იონოსფეროსა და წანაცვლებითი დინების პარამეტრების საკმაოდ ფართე დიაპაზონისათვის.

საანგარიშო პერიოდში ასევე შესწავლილია არაერთგვაროვანი ფონური ქარებით მართულ იონოსფეროში ზონალური დინების გენერაციის შესაძლებლობა და ფიზიკური მექანიზმი. გამოკვლეულია არაწრფივი (სკალარული და ვექტორული) ეფექტების როლი სასრული ამპლიტუდის მქონე ულტრა დაბალი სიხშირის (უდს) მოდების მიერ დიდმასშტაბიანი ზონალური დინებების ფორმირებაში. შესაბამისი განტოლებათა სისტემის თეორიული ანალიზის საფუძველზე შეშფოთებათა ამპლიტუდებისათვის მიღებულია განზოგადოებული ამოცანა საკუთარი რიცხვებისათვის, რომელიც ამოიხსნა რიცხვითი მეთოდების გამოყენებით. გამოვლენილ იქნა შედარებით მცირე მასშტაბიანი უდს ტალღიდან და ფონური ქარებიდან ენერგიის დიდმასშტაბიან ზონალურ დინებებში გადაქაჩვის თავისებურებები. ნაჩვენებია, რომ ზონალური დინების გენერაცია განპირობებულია სასრულ ამპლიტუდიანი დამაგნიტებული როსბის ტალღის და ფონური წანაცვლებითი დინების ზემოქმედებით.

სეისმური პროცესების და დამზერილი სეისმური სიგნალების მოდელირების მიზნით განხილულია ტექტონიკური ფილების მოძრაობის დინამიკა ხახუნის ძალის შტრიბეკ-ეფექტის გათვალისწინებით. მარტივ ერთბლოკიან მოდელში თეორიულად მიღებულია ვანდერპოლის განტოლება, რომელიც აღწერს ფრიქციულ ავტორხევებს. ამ მოდელში ნაჩვენებია „stick-slip“ დინამის არსებობა, რომლის შესწავლა აქტუალურია მიწისძვრის პროცესების შესაძლო მექანიზმის გამოსავლენად. განხილულია ორი ბმული ვანდერპოლის ოსცილატორის დინამიკა, რომელშიც გარე პერიოდული ძალის არსებობისას დაბალსიხშირული პერიოდული „ტექტონიკური“ სიგნალის ფონზე გამოვლენილია მაღალსიხშირული „სეისმური“ რხევები. ასეთი სიგნალები მიღებულია რეალური სეისმური გაფილტრული სიგნალებიდან, რაც გვიჩვენებს მოდელის კარგ თვისობრივ თანხვედრას რეალურ სეისმურ

	დაკვირვებებთან. რიცხვითი მეთოდების გამოყენებით ნაჩვენებია როგორც „stick-slip“ მოძრაობის, ასევე დეტერმინირებული ქაოსის შესაძლებლობა შტრიბეკ-ეფექტის გათვალისწინებით. რეგულარული და ქაოსური მოძრაობები თვისობრივად შესწავლილია მოდელში მიეღებული სიგნალების სპექტრალური ანალიზით, ბიფურკაციული დიაგრამებით და ფაზური ტრაექტორიების პუანკარეს კვეთების აგებით.

III. სახელმწიფო გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

N	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ელექტრომაგნიტური ამინდის შემქმნელი უდს ტალღური სტრუქტურების გენერაცია, ინტენსიფიკაცია და ურთიერთტრანსფორმაცია წანაცვლებითი დინებებით მართულ იონოსფეროში (2013-2016)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. პროექტი ხორციელდება ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტ-ში და მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტში)	ო. ხარშილაძე	ო.ხარშილაძე რ.ჭანიშვილი ხ.ჩარგაზია ნ.ფირცხალავა
დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)				
სახელმწიფო გრანტის ეტაპის შედეგები თეორიულად შესწავლილია არაერთგვაროვანი ფონური ქარებით მართულ იონოსფეროში ზონალური დინების გენერაცია. მიღებულია ჩარნი-ობუხოვის ტიპის განზოგადოებული განტოლება, რომელიც აღწერს ხუთი სხვადასხვა მასშტაბის მქონე მოდების არაწრფივ ურთიერთქმედებას: პირველადი, შედარებით მოკლეტალღოვანი ულტრადაბალი სიხშირის დამაგნიტებული როსბის ტიპის ტალღა, ორი სატელიტი, გრძელტალღოვანი ზონალური მოდა და ფონური წანაცვლებითი დინება (არაერთგვაროვანი ქარი). შესწავლილია არაწრფივი (სკალარული და ვექტორული) ეფექტების როლი სასრული ამპლიტუდის მქონე დამაგნიტებული როსბის ტიპის ტალღების მიერ დიდმასშტაბიანი ზონალური დინებების ფორმირებაში დისიპაციურ იონოსფეროში. შესაბამისი განტოლებათა სისტემის თეორიული ანალიზის საფუძველზე შეშფოთებათა ამპლიტუდებისათვის (საკუთარი რიცხვებისათვის განზოგადოებული ამოცანა) გამოვლენილ იქნა შედარებით მცირე მასშტაბიანი ულტრა დაბალი სიხშირის			

დამაგნიტებული როსბის ტალღიდან და ფონური ქარებიდან ენერგიის დიდმასშტაბიან ზონალურ დინებებში გადაქაჩვის ახალი თავისებურებები და ხუთტალღოვანი კოლექტიური აქტივობის არაწრფივი თვითორგანიზაციის მოვლენა იონოსფერულ გარემოში. ზონალური დინების გენერაცია განპირობებულია სასრულ ამპლიტუდიანი დამაგნიტებული როსბის ტალღის და ფონური წანაცვლებითი დინების ზემოქმედებით.

IV. პუბლიკაციები:
ა) საქართველოში

სტატიები

N	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	ხარშილაძე ო. ჩარგაზია ხ.	Zonal Flow and Stremaer Generation by Small – Scale Drift-Alfven Waves in Ionosphere Plasma / Journal of Georgian Geophysical Society, Issue B – Physics of Atmosphere and Ocean.	18b,	თბილისი, საქართველო	14
ანოტაცია შესწავლილია ზონალური დინებების, სტრიმერებისა და კოჰერენტული სტრუქტურების გენერაცია მოდულაციურად არამდგრადი მცირე მასშტაბიანი დრეიფული ალფვენის ტალღების მიერ. ნაჩვენებია, რომ აღნიშნული ტალღური სტრუქტურების გენერაცია ძლიერად არის დამოკიდებული მცირე მასშტაბიანი დრეიფული ალფვენის ტალღების მიმართულებაზე.					
2	ჩარგაზია ხ., ხარშილაძე ო., ჯ. როგავა	Theoretical Analysis and Numerical Simulation of Nonlinear Dynamic Equations in the Shear Flow driven dissipative ionosphere // Proceedings of TICSAM – 2015, 2015 Internationa Conference on Computer Science and Aplied Mathematics	18ბ,	თბილისი, საქართველო	28
ანოტაცია განხილულია ულტრადაბალი სიხშირის ელექტრომაგნიტური ჩქარი მოდის ურთიერთქმედება დაბალსიხშირულ მოდულირებულ როსბის მოდასთან					

იონოსფეროში წანაცვლებითი (არაერთგვაროვანი) პლაზმური დინების პირობებში. როსბის მოდების ტალღური პაკეტი წარმოადგენს მსხვილმაშტაბიანი გრიგალური სტრუქტურების საფუძველს და იძლევა იონოსფეროში გრიგალების გენერაციის ფიზიკურ მოდელს. ფონური წანაცვლებითი დინებების პირობებში როსბის გრიგალური სტრუქტურების ურთიერთქმედება ულტრადაბალი სიხშირის ჩქარ ელექტრომაგნიტურ მოდასთან დაიყვანება ამ ჩქარი მოდის როსბის მოდასთან ურთიერთქმედებაზე მათი ბმის პირობებში. შესწავლილია ფონური დინების როლი ამ ტალღების ბმის მექანიზმში.

3	ჩარგაზია ხ., ხარშილაძე ო.	Simulation of Burridge-Knopoff Model // Reports of Enlarged Sessions of the Seminar of I.Vekua Institute of Applied Mathematics	29	თბილისი, საქართველო	4

ანოტაცია

ჩატარებულია ბურიჯ-კნოპოვის მოდელის რიცხვითი სიმულაცია. გამოყენებულია დისკრეტული მოდელი. დისკრეტული მოდელი ავლენს როგორც პერიოდულ რხევებს, ასევე ქაოტურ მოძრაობებს. გამოვლენილია, რომ სისტემის გადასვლა ქაოსურ მდგომარეობაში არის დამოკიდებული სისტემის ზომაზე (სისტემაში შემავალი ბლოკების რაოდენობაზე). მოდელში გამოყენებულია დიტრიხ-რუინას არაწრფივი ხახუნის ძალა, რომელიც ასევე არის მასშტაბებზე დამოკიდებული და წარმოადგენს თვლის სირთულეს. განსაზღვრულია ქაოსური მდგომარეობაში გადასვლის კრიტიკული პარამეტრის მნიშვნელობა.

ბ) უცხოეთში

სტატიები

N	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებული ს დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ჭანიშვილი რ, ჩაგელიშვილი გ უჩავა ე.,	Linear coupling of planetary scale waves in ionospheric zonal shear winds: generation of fast magnetic waves	Submitted 2015,	ამერიკის შეერთებული შტატები/	7

	ხარშილაძე ო.	*(პლანეტარული მასშტაბის ტალღების წრფივი ბმა იონოსფერულ ზონალურ წანაცვლებით ქარებში: სწრაფი მაგნიტური ტალღების გენერაცია)*//Physics of Plasmas		American Institute of Physics,	

ანოტაცია

იონოსფერულ ზონალურ წანაცვლებით დინებების არაორთოსოგონალურობით განპირობებული პლანეტარული მასშტაბის მოდიფიცირებული როსბის ტალღებისა და ხანთაძის ტალღების წრფივი კავშირი შესწავლილია არამოდალური მიდგომის საფუძველზე. ნაჩვენებია, რომ ამ კავშირის შედეგად, მოდიფიცირებული როსბის ტალღები აგენერირებენ ხანთაძის ტალღებს იონოსფეროსა და წანაცვლებითი დინების პარამეტრების საკმაოდ ფართე დიაპაზონისათვის.
კვლევის მიზანია იონოსფერულ ზონალურ წანაცვლებით დინებებში ტალღების დინამიკის ახლებური გააზრება, კერძოდ, დინებების არაორთოგონალურობით განპირობებული პლანეტარული მასშტაბის მოდიფიცირებული როსბის ტალღებისა და სწრაფი მაგნიტური (ხანთაძის) ტალღების წრფივი კავშირის/ბმის შესწავლა არამოდალური მიდგომის საფუძველზე. ნაჩვენებია, რომ: ა) მოდიფიცირებული როსბის ტალღები აგენერირებენ სწრაფ მაგნიტურ ტალღებს ბმის გამო იონოსფეროსა და წანცვლებითი დინების პარამეტრების ფართო დიაპაზონისათვის; ბ) წრფივი ტრანზიენტული პროცესები ხასიათდებიან ძლიერი ანიზოტროპულობით სპექტრალურ სიბრტყეში; გ) დამაგნიტებული ტალღების/ოსცილაციების გენერაცია ყველაზე მეტად ეფექტურია S=0.1-ის დროს (S არის წანაცვლების პარამეტრი ნორმირებული პლანეტის კუთხური სიჩქარისა და განედის კოსინუსის ნამრავლზე); დ) ჰოლის პარამეტრის ზრდის დროს ოპტიმალურად გენერირებული დამაგნიტებული ტალღების ჰარმონიკების დინების გასწვრივი ტალღური რიცხვი მცირდება.

2	ხარშილაძე ო., ჩარგაზია ხ.	Background Non-Uniform Wind Effect on Large Scale Zonal Flow Generation by ULF Modes. EPSC Abstracts. EPSC2015-357	10	ნანტი, საფრანგეთი	2

ანოტაცია

თეორიულად შესწავლილია არაერთგვაროვანი ფონური ქარებით მართულ იონოსფეროში ზონალური დინების გენერაცია. შესაბამისი განტოლებათა სისტემის თეორიული ანალიზის საფუძველზე შეშფოთებათა ამპლიტუდებისათვის (საკუთარი

რიცხვებისათვის განზოგადოებული ამოცანა) გამოვლენილ იქნა შედარებით მცირე მასშტაბიანი ულტრა დაბალი სიხშირის დამაგნიტებული როსბის ტალღიდან და ფონური ქარებიდან ენერგიის დიდმასშტაბიან ზონალურ დინებებში გადაქაჩვის თავისებურებები იონოსფერულ გარემოში.					
3	ო. ხარშილაძე, ხ. ჩარგაზია	Investigation of the Strong Turbulence in the Geospace Environment // Advances in Radio Sciences	13, 243-250, 2015	გიოტინგენი, გერმანია	8
ანოტაცია მაგნიტოსფერულ პლაზმაში შესწავლილია გრიგალური სტრუქტურები, რომლებიც ხშირად დაიმზირება ტანამგზავრული მისიებით რეალურ გარემოში.დიდმაშტაბიანი გრიგალები შეესაბამება ტურბულენტობის მასშტაბს, ამიტომ მათი წარმოშობის გააზრება წარმოადგენს მნიშვნელოვან ამოცანას ენერგიის ურთიერთგაცვლის პროცესების გამოსაკვლევად. ამ მიზნით რეალურ მონაცემებზე დაყრდნობით მაგნიტოსფეროს კუდში გამოვლენილია ძლიერად ლოკალიზებული გრიგალების ერთობლიობა, მათ მიერ ტურბულენტური მდგომარეობის ჩამოყალიბება. აღნიშნული სტრუქტურებისათვის შეფასებულია სიმძლავრის სპექტრები, რომელიც წარმოადგენს გრიგალური სტრუქტურების კარგ მახასიათებელს.					

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
ა) საქართველოში

N	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის დასახელება, ჩატარების დრო და ადგილი
1	ოლეგ ხარშილაძე, ხათუნა ჩარგაზია	ფონური ქარის გავლენა უდს მოდების მიერ დიდმასშტაბიანი ზონალური ქარის გენერაციაზე	საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის საერთაშორისო კონფერენცია // ბათუმი, საქართველო 12-16 ივლისი, 2015.
მოხსენების ანოტაცია შესწავლილია არაერთგვაროვანი ფონური ქარებით მართულ იონოსფეროში ზონალური დინების გენერაცია. შესწავლილია არაწრფივი (სკალარული და ვექტორული) ეფექტების როლი სასრული ამპლიტუდის მქონე ულტრა დაბალი სიხშირის (უდს) მოდების მიერ დიდმასშტაბიანი ზონალური დინებების ფორმირებაში დისიპაციურ იონოსფეროში. შესაბამისი განტოლებათა სისტემის თეორიული ანალიზის საფუძველზე შეშფოთებათა ამპლიტუდებისათვის (საკუთარი რიცხვებისათვის განზოგადოებული ამოცანა) გამოვლენილ იქნა შედარებით მცირე მასშტაბიანი უდს ტალღიდან და ფონური ქარებიდან			

ენერგიის დიდმასშტაბიან ზონალურ დინებებში გადაქაჩვის თავისებურებები. ნაჩვენებია, რომ ზონალური დინების გენერაცია განპირობებულია სასრულ ამპლიტუდიანი დამაგნიტებული როსბის ტალღის რეინოლდსის ძაბვით და ფონური წანაცვლებითი დინების ზემოქმედებით.

2	ხარშილაძე ო. ჩარგაზია ხ.	წანაცვლებითი დინების გავლენა უდს ტალრების მიერ დიდმასშტაბიანი ზონალური მოძრაობების წარმოშობაზე.	საქართველოს მექანიკოსთა კავშირის VI ყოველწლიური საერთაშორისო // 29.09 – 04.10 2015, თბილისი, საქართველო.

მოხსენების ანოტაცია

შესწავლილია არაერთგვაროვანი წანაცვლებითი დინებებით განპირობებულ იონოსფეროში ზონალური დინების წარმოშობა. შესაბამისი განტოლებათა სისტემის თეორიული ანალიზის საფუძველზე შეშფოთებათა ამპლიტუდებისათვის (საკუთარი რიცხვებისათვის განზოგადოებული ამოცანა) გამოვლენილ იქნა შედარებით მცირე მასშტაბიანი უდს ტალღიდან და წანაცვლებიტი დინებებიდან ენერგიის დიდმასშტაბიან ზონალურ მოძრაობებში გადაქაჩვის თავისებურებები.

3	ჩარგაზია ხ., ხარშილაძე ო., როგავა ჯ.	არაწრფივი დინამიკური განტოლებების თეორიული ანალიზი და რიცხვითი სიმულაცია წანაცვლებითი დინებით განპირობებულ დისიპაციურ იონოსფეროში	TICSAM – 2015, 2015 კომპიუტერულ მეცნიერებებსა და გამოყენებით მათემატიკაში საერთაშორისო კონფერენცია // 21-23 მარტი, Tbilisi, Georgia.

მოხსენების ანოტაცია

დისიპაციურ იონოსფეროში ზონალურ წანაცვლებით დინებებში ეფექტურია არამოდალური მიდგომა. არამოდალური მიდგომით შესწავლილია პლანეტარული მასშტაბის როსბის ტალღებისა და უდს ჩქარი ტალღების ინდუცირებული წრფივი კავშირის არაორთოგონალურობა. ნაჩვენებია, რომ ამ კავშირის გამო გენერირდებიან უდს ელექტრო მაგნიტური ტალღები იონოსფერული და წანაცვლებითი დინებების პარამეტრების საკმაოდ ფართე დიაპაზონისათვის.

4	ხარშილაძე ო., ჩარგაზია ხ., ჭანიშვილი რ.	ზონალური დინებებისა დიდმასშტაბიანი მაგნიტური ველების არაწრფივი გენერაცია უდს ტალღების მიერ და ამ ტალღების ურთიერთ ტრანსფორმაცია იონოსფეროში, სატელიტური მონაცემების ანალიზი	მესამე საერთაშორისო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი // 2- 7 – თებერვალი . თბილისი, საქართველო

მოხსენების ანოტაცია

თეორიულად შესწავლილია ტურბულენტურ არაერთგვაროვანი ფონური ქარებით მართულ იონოსფეროში ზონალური დინებისა და მაგნიტური ველების არაწრფივი გენერაცია. შესწავლილია არაწრფივი (სკალარული და ვექტორული) ეფექტების როლი სასრული ამპლიტუდის მქონე დამაგნიტებული ტალღების მიერ დიდმასშტაბიანი ზონალური დინებებისა და მაგნიტური ველების ფორმირებაში დისიპაციურ იონოსფეროში. გამოყენებულ იქნა მოდიფიცირებული პარამეტრული მოდგომა. გამოკვლეულია უდს ტალრების უღტიერთტრანსფორმაციის ამოცანა ცანაცვლებითი დინებებით განპირობებულ იონოსფეროში. ცატარებულ იქნა რეალურ სატელიტურ მონაცემთა ანალიზი.

5	ჩარგაზია ხ., ხარშილაძე ო.,	ფრიქციული ავტორხევები მიწისძვრის მარტივ მოდელებში	თბილისის სამეცნიერო ფესტივალი მათემატიკისა და ინფორმატიკის გამოყენება საბუნებისმეტ ყველო მეცნიერებებსა და ინჟინერიაში

მოხსენების ანოტაცია

სეისმური პროცესების მოდელირების მიზნით განხილულია ტექტონიკური ფილების მოძრაობის დინამიკა ხახუნის ძალის შტრიბეკ-ეფექტის გათვალისწინებით. მარტივი ერთბლოკიანი სისტემის ჰაიკინის ამოცანაში ბლოკის დაბალი სიჩქარეებისათვის მიღებულია ვანდერპოლის განტოლება, რომელიც აღწერს ფრიქციულ ავტორხევებს. ამ მოდელში ნაჩვენებია „stick-slip“ დინამის არსებობა, რომლის შესწავლა აქტუალურია მიწისძვრის პროცესების შესაძლო მექანიზმის გამოსავლენად. განხილულია ორი ბმული ვანდერპოლის ოსცილატორის დინამიკა, რომელშიც გარე პერიოდული ძალის არსებობისას დაბალსიხშირული პერიოდული „ტექტონიკური“ სიგნალის ფონზე გამოვლენილია მაღალსიხშირული „სეისმური“ რხევები. ასეთი სიგნალები მიღებულია რეალური სეისმური გაფილტრული სიგნალებიდან, რაც გვიჩვენებს მოდელის კარგ თვისობრივ თანხვედრას რეალურ სეისმურ დაკვირვებებთან. რიცხვითი მეთოდების გამოყენებით ასევე შესწავლილია ერთი და ორ-ბლოკიანი სისტემების არაწრფივი დინამიკა მშრალი ხახუნის სხვადასხვა ანალიზური მოდელის საშუალებით სიჩქარის შეზღუდვის გარეშე და ნაჩვენებია როგორც „stick-slip“ მოძრაობის, ასევე დეტერმინირებული ქაოსის შესაძლებლობა შტრიბეკ-ეფექტის გათვალისწინებით. რეგულარული და ქაოსური მოძრაობები თვისობრივად შესწავლილია მოდელში მიეღებული სიგნალების სპექტრალური ანალიზით, ბიფურკაციული დიაგრამებით და ფაზური ტრაექტორიების პუანკარეს კვეთების აგებით. დეტერმინირებული ქაოსის არსებობა ასეთ მარტივ მოდელებშიც პრობლემურს ხდის მიწისძვრის პროგნოზირებას, მაგრამ იძლევა პროცესის ფიზიკურ სურათს.

2) უცხოეთში

N	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის დასახელება, ჩატარების დრო და ადგილი

1	ხარშილაძე ო . ჩარგაზია ხ.	შიდა გრავიტაციური ტალღების ტრანზიენტული ზრდა იონოსფეროში წანაცვლებითი დინებების არსებობისას	EGU გენერალური ასამბლეა 2015. 12-17 აპრილი. ვენა, ავსტრია.
მოხსენების ანოტაცია შესწავლილია შიდა გრავიტაციური ტალღების (შგტ) გაძლიერებისა და ტრანზიენტული ზრდის წრფივი მექანიზმი უწყვეტად სტრატიფიცირებულ იონოსფეროში არაერთგვაროვან ქარებთან უერთიერთქმედებისას. ნაჩვენებია, რომ შგტ-ს გაძლიერება დროის მიხედვით არ მიმდინარეობს ექსპონენციალურად, არამედ ალგებრულ ხარისხოვანი წესით.			
2	ხარშილაძე ო. ჩარგაზია ხ.	ზონალური დინებებისა დიდმასშტაბიანი მაგნიტური ველების არაწრფივი გენერაცია უდს ტალღების მიერ, სატელიტური მონაცემების ანალიზი	26-ე გეოდეზიისა და გეოფიზიკის საერთაშორისო კავშირის გენერალური ასამბლეა. პრაღა, ჩეხეთი. 22 ივნისი - 2 ივილის, 2015
მოხსენების ანოტაცია თეორიულად შესწავლილია ტურბულენტურ არაერთგვაროვანი ფონური ქარებით მართულ იონოსფეროში ზონალური დინებისა და მაგნიტური ველების არაწრფივი გენერაცია. შესწავლილია არაწრფივი (სკალარული და ვექტორული) ეფექტების როლი სასრული ამპლიტუდის მქონე დამაგნიტებული ტალღების მიერ დიდმასშტაბიანი ზონალური დინებებისა და მაგნიტური ველების ფორმირებაში დისიპაციურ იონოსფეროში. გამოყენებულ იქნა მოდიფიცირებული პარამეტრული მოდგომა. გამოკვლეულია უდს ტალრების უღტიერთტრანსფორმაციის ამოცანა ცანაცვლებითი დინებებით განპირობებულ იონოსფეროში. ცატარებულ იქნა რეალურ სატელიტურ მონაცემთა ანალიზი.			
3	ხარშილაძე ო. ჩარგაზია ხ.	ფონური არაერთგვაროვანი ქარის გავლენა დიდმასშტაბიანი ზონალური დინების გენერაციაზე უდს ტალღების მიერ	ევროპის პლანეტარულ მეცნიერებათა კონგრესი EPSC 2015. ნანტი, საფრანგეთი, 27 სექტემბერი – 2 ოქტომბერი, 2015
მოხსენების ანოტაცია შესწავლილია არაერთგვაროვანი ფონური ქარებით მართულ იონოსფეროში ზონალური დინების გენერაცია. შესწავლილია არაწრფივი (სკალარული და ვექტორული) ეფექტების როლი სასრული ამპლიტუდის მქონე ულტრა დაბალი სიხშირის (უდს) მოდების მიერ დიდმასშტაბიანი ზონალური დინებების ფორმირებაში დისიპაციურ იონოსფეროში. გამოვლენილ იქნა შედარებით მცირე მასშტაბიანი უდს ტალღიდან და ფონური ქარებიდან ენერგიის დიდმასშტაბიან ზონალურ დინებებში გადაქაჩვის თავისებურებები. ნაჩვენებია, რომ ზონალური დინების გენერაცია განპირობებულია სასრულ ამპლიტუდიანი			

დამაგნიტებული როსბის ტალღის რეინოლდსის ძაბვით და ფონური წანაცვლებითი დინების ზემოქმედებით.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2015 წლის სამეცნიერო ანგარიში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე არის ორი მიმართულება: ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირება.

ეკონომიკის მიმართულება აერთიანებს შვიდ კათედრას:

1. თეორიული ეკონომიკის კათედრა;
2. ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა;
3. მიკროეკონომიკის კათედრა;
4. მაკროეკონომიკის კათედრა;
5. ეკონომეტრიკის კათედრა;
6. ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრა;
7. საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრა.

ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულება აერთიანებს შვიდ კათედრას:

1. ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრა;
2. ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრა;
3. საერთაშორისო ბიზნესის კათედრა;
4. მენეჯმენტის და ადმინისტრირების კათედრა;
5. მარკეტინგის კათედრა;
6. ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრა;
7. ეკონომიკასა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრა.

ფაკულტეტის შემადგენლობაშია – ***„საერთაშორისო საწარმოთა მართვა“*** - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის (გერმანია) უნივერსიტეტის ***ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა ორმაგი ხარისხით.*** (აკრედიტებული).

თითოეული ორიენტირებულია თანამედროვე სამეცნიერო კვლევითი პროექტების დამუშავებასა და სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვაზე.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის შემადგენლობაშია – ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა Master's Program in Economics at International School of Economics at Tbilisi State University (ISET).

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს პარტნიორობას უწევენ ბერლინის (გერმანია), პოტსდამის (გერმანია), ბრანდერბურგის (გერმანია), იენის (გერმანია), პირეუსის (საბერძნეთი), მიუნხენის (გერმანია) უნივერსიტეტები. მათთან დადებული ხელშეკრულებები ითვალისწინებს:

- ერთობლივი სამეცნიეროდკვლევითი პროექტების დამუშავებას;
- გაცვლითი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების მომზადებას;
- სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვას.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე არსებობს ***სამეცნიერო კვლევითი ერთეულები:***

1. ბიზნეს-ეთიკის ცენტრი;
2. ეკონომიკის კვლევისა და სწავლების ქართულ-ბერძნული ცენტრი;
3. ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტი;
4. ინოვაციური მენეჯმენტის ცენტრი;
5. მარკეტინგული კვლევის ცენტრი;
6. მიგრაციის კვლევის ცენტრი;
7. მსოფლიო ეკონომიკის კვლევის ცენტრი;
8. სტატისტიკის საკონსულტაციო და კვლევითი ლაბორატორია;
9. სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“.

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: ***თეორიული ეკონომიკის კათედრა***

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ***პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი***

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა
პროფესორი თეიმურაზ ბერიძე
ასოცირებული პროფესორი მარინა ნაცვალაძე
ასოცირებული პროფესორი ინგა ბალარჯიშვილი
ასისტენტ-პროფესორი თამარ ათანელიშვილი

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა თამარ თაფლაძის, და არჩილ გეგეშიძის მონაწილეობით	"საქართველოს ეკონომიკა: რეფორმები და ფსევდორეფორმები"	თბილისი, "ინტელექტი"	

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია იმ ეკონომიკური რეფორმების არსი, რომლებიც საქართველოს ეკონომიკაში ქვეყნის მიერ სახემწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან მოყოლებული დღემდე იქნა გატარებული. გაანალიზებულია საქართველოს ეკონომიკის რეფორმირების როგორც მიღწევები, ისე ამ პროცესში დაშვებული შეცდომებიც. გამოკვეთილია უახლოეს მომავალში საქართველოში გასატარებელი ეკნომიკური რეფორმების მაგისტრალური გზა. წიგნი განკუთვნილია მეცნიერ-ეკონომისტებისათვის, ეკონომიკური პროფილის უმაღლესი სასწავლებლებისა და ეკონომიკის ფაკულტეტების სტუდენტებისათვისა და პროფესორებისათვის, აგრეთვე საქართველოს ეკონომიკის აქტუალური პრობლემებით დაინტერესებულ მკითხველთა იმ ფართო წრისათვის.

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2	პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი	თანამედროვე ეკონომიკური თეორიები (ლექციების კურსი) – ელექტრონული ვერსია	განახლებული გამოცემა. თბილისი, „უნივერსალი", 2015	გვ. 312

3	ასოც. პროფ. მარინე ნაცვალაძე ასისტ.პროფ. თამარ ათანელიშვილი ასოც. პროფ. მარინე ნაცვალაძე ასისტ.პროფ. თამარ ათანელიშვილი	”მიკროეკონომიკის პრონციპები. აქტიური სწავლება” ”მაკროეკონომიკის პრინციპები. აქტიური სწავლება”	განახლებული გამოცემა. თბილისი, „უნივერსალი”, 2015	გვ.91 გვ.65

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია თანამედროვე “მეინსტრიმული” ეკონომიკური თეორიები. ლოგიკურ-ისტორიული მიდგომის საფუძველზე ნაჩვენებია ის თეორიულ-იდეური დაპირისპირება, რომელიც ტრადიციულად არსებობს კეინზიანურ და ნეოკლასიკურ მიმართულებებს შორის: “ახალი კეინზიანელები” და პოსტკეინზიანელები”, “ნეოკლასიკური სინთეზი” – ერთი მხრივ და მეორე მხრივ, მონეტარიზმი, რაციონალური მოლოდინების თეორია (რთმ) და რეალური საქმიანი (ბიზნეს) ციკლების თეორია. ცალკე ადგილი ეთმობა ნეოლიბერალური თეორიების (“ავსტიული” და გერმანული ნეოლიბერალიზმი) კრიტიკულ ანალიზს. წარმოდგენილია ეკონომიკის განვითარების ნეოკლასიკური, კეინზიანური და ინსტიტუციონალური თეორიები. ნაშრომში ცალკე ადგილი ეთმობაქართველ მეცნიერ-ეკონომისტთა ორიგინალურ შეხედულებებს. კერძოდ, განხილულია აკად. ვ. პაპავას ნეკროეკონომიკისა და ნეკროეკონომიკის ზომბირების თეორიები, აგრეთვე ვლ. პაპავას და პროფ. ი. ანანიაშვილის ორიგინალური ინტერპრეტაცია “ლაფერ-კეინზიანური მრუდის” შესახებ.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი	“გლობალიზაციის ეპოქის ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების პოლიტეკონომიური ანატომია” ჟურნ. “ეკონომიკა და ბიზნესი”	N2 , ტომი VIII	თბილისი	გვ. 9-35
2	პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი	“ეკონომიკის გლობალიზაცია, საინფორმაციო რევოლუცია და ქსელური ორგანიზაციული სისტემები” შრომების კრებულში	ტომი 9, № 2	თბილისი	გვ. 225-228
3		“თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები			

		ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში”			
4	აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა თანაავტორი თ.თაფლაძე	“ლიბერტარიანიზმის ქართული მოდელი” ეროვნული ეკონომიკის მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები. აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული”	„ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“. (თანაავტ.1).	თბილისი	გვ. 56-58
5	აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა თანაავტორი თამარ თაფლაძე)	“Pseudo-Libertarianism in Post-Revolutionary Georgia” (“ფსევდოლიბერტარიანიზმი პოსტრევოლუციურ საქართველოში”) “Bulletin of the Georgian National Academy of Sciences” (“საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე”		თბილისი	გვ. 150-153
6	აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა თანაავტორი თამარ თაფლაძე)	“საქართველოს ეკონომიკური განვითარების ევროპული ვექტორის შესახებ” “საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესის მასალები I” (თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია)	ტომი 8, №4, 2015 წ.	თბილისი	გვ. 119-120
7	ასისტენტ პროფესორი თამარ ათანელიშვილი ასოცირებული	“FAILURE OF THE KEYNESIAN MULTIPLIER DOCTRINE: SOME ASPECTS OF INTERRELATION BETWEEN INVESTMENTS AND EMPLOYMENT” (კეინზური მულტიპლიკაციური დოქტრინის უარყოფა: ინვესტიციებისა და დასაქმების		თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი.	გვ. 58-60.

	პროფესორი მარინე ნაცვალაძე ნინო ბერაია	ურთიერთკავშირის ზოგიერთი ასპექტები) უძრავი ქონების ბაზრის ციკლურობის ანალიზი (თბილისის მაგალითზე); ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი”		თბილისი 2015 თსუ	14 (ჟურნალი გადის რედაქტირებას და მითითებული გვერდების რაოდენობა შეესაბამება ვირდის ფაილით გაგზავნილ გვერდების რაოდენობას)

ანოტაციები

1. განხილულია თანამედროვე გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის თეორიული-მეთოდოლოგიური საფუძვლები. დასაბუთებულია, რომ ამ ფენომენის სრულყოფილი შესწავლა შეუძლებელია ტრადიციული მეინსტრიმული ნეოკლასიკური თეორიის ჩარჩოებში და შემოთავაზებულია კვლევაში ეკონომიკური დინამიკის მოთოდოლოგიის გამოყენების აუცილებლობა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გლობალიზაციის ეპოქაში ფინანსური კრიზისების პროგნოზირება-პრევენციის საკითხებს. დასაბუთებულია, რომ მსგავსი კრიზისების ზუსტი პროგნოზირება შეუძლებელია, თუმცა შემოთავაზებულია “წერტილოვანი პროგნოზირებისა და “პროგნოზირების დერეფნების” (“კორიდორების”) შექმნის იდეა , რაც კრიზისის პრევენციის იარაღი შეიძლება გახდეს.

2. სტატიაში განხილულია ეკონომიკის გლობალიზაციის, საინფორმაციო რევოლუციისა და სოციალური სისტემების ქსელური ორგანიზაციის ურთიერთკავშირი და ურთიერთგანპირობებულობა. ნაჩვენებია ის ფაქტი, რომ საინფორმაციო რევოლუცია წარმოადგენდა გლობალიზაციის ერთ-ერთ ფაქტორს, გლობალიზაციამ კი განაპირობა სოციალური სისტემის ორგანიზების ახალი ქსელური ფორმის წარმოქმნის აუცილებლობა. დახასიათებულია ქსელური ორგანიზაციის შენაარსი, ნაჩვენებია მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, აგრეთვე განვიტარების პერსპექტივები.

3. სტატიაში განხილულია ლიბერტარიანიზმის კლასიკური მოდელის ქართული მოდიფიკაცია, რომელიც ეფუძვნება მხოლოდ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების დაცვას და ეკონომიკური მეცნიერების უცოდინრობას.

4. 2003 წლის ნოემბრის ვარდების რევოლუციის შემდეგ გატარებული რეფორმები საერთაშორისო დონეზე აღიარებულია როგორც ლიბერტარიანული. ამ შეხედულების უკან იდგა ის ფაქტი, რომ ბიზნესის დასაწყება საჭირო ლიცენზიების და ნებართვების დიდი ნაწილი იქნა გაუქმებული. იმავდროულად, საქართველოს მთავრობა რეგულარულად არღვევდა საკუთრების უფლებებს და სასამართლო სისტემა ფაქტობრივად იყო პროკურატურის კონტროლქვეშ. ქართველი იმით “ლიბერტარიანელები” განსხვავდებიან ნამდვილი ლიბერტარიანელებისაგან, რომ ქართველთათვის ლიბერტარიანიზმი არ ყოფილა ეკონომიკის ცოდნაზე დაფუძვნებული არჩევანი; პირიქით, მათთვის ასეთი არჩევანი იყო

ნიღაბი ეკონომიკის არცოდნის დასაფარავად.

5. სტატიაში განხილულია საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პრობლემა. თუკი გვინდა საქართველო ოდესმე ევროპის განუყოფელ ნაწილად იქცეს, აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკის ევროპული ტიპის საბაზრო ეკონომიკის მიმართულებით ტრანსფორმაცია. გაურვეველი რჩება რუსეთთან ურთიერთობის მომავალი, როგორც ზოგადად, ისე ეკონომიკური კუთხითაც. მართალია, ქართული წარმოების პროდუქცია რუსეთის ბაზარზე დაბრუნდა, მაგრამ ხაზი უნდა გაესვა, რომ ნაკლებად ექვემდებარება პროგნოზებს რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების სრული მასშტაბით აღდგენის შესაძლებლობა, ვინაიდან ეს საკითხი უფრო პოლიტიკური ხასიათისაა, ვიდრე ეკონომიკური.

6. ნაშრომში გამოკვლეულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე. კვლევის შედეგად, გაკეთებულია დასკვნა, რომ პოსტსაბჭოური საქართველოს რეალობაში, კეინზური მაკროეკონომიკური მულტიპიკატორის დოქტრინა არ მოქმედებს, ვინაიდან ქვეყნის ეკონომიკაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდამ იმავდროულად ვერ უზრუნველყო ახალი ადგილების შექმნა.

7. უძრავი ქონების ბაზრის ციკლურობის ანალიზი მეტად აქტუალურია, რადგან მისი საშუალებით ხდება ობიექტური ინფორმაციის მიწოდება იმ პირთათვის, რომლებიცამ ბაზარზე იღებენ გადაწყვეტილებებს სხვადასხვა ოპერაციის განხორციელების შესახებ.

კვლევის მიზანია უძრავი ქონების ღირებულების ცვლილების საერთო ტენდენციების ანალიზი, კერძოდ, მისი ციკლურობა თბილისის საცხოვრებელი საბინაო ფართების ბაზრის მაგალითზე. ანალიზის ობიექტს წარმოადგენს უძრავი ქონების ბაზარი.ანალიზის საგანია ბაზრის ფუნქციონირების პროცესები, მახასიათებლები და კანონზომიერებები. უძრავი ქონების ბაზრის კვლევის მეთოდოლოგის ძირითადი პრინციპია სოციო-ეკონომიკური სისტემების კვლევისადმი სისტემური მიდგომა.

დღემდე საქართველოში ძირითადად განხორციელებულია საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრის ციკლების ფორმალური აღწერა, აღწერითი სტატისტიკური კვლევები და ფაქტობრივად არ არსებობსციკლურობის კვლევები ეკონომეტრიკული მეთოდების გამოყენებით. სტატიაში გაანალიზებულია თბილისის საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრის ციკლურობა ჰოდრიკ-პრესკოტის ფილტრის გამოყენებით, რითაც განხორციელდა დროითი მწკრივების ტრენდისაგან განთავისუფლება და ციკლური კომპონენტის გამოყოფა. კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ თბილისის უძრავი ქონების ბაზარი ორი-ორნახევარწლიანი ციკლების პირობებში ფუნქციონირებს.

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა**	"Necroeconomics of Post-Soviet Post-Industrialism and the Model of Economic Development of Georgia and Russia" ("პოსტსაბჭოთა პოსტინდუსტრიალიზმის ნეკროეკონომიკა და საქართველოს და რუსეთის ეკონომიკური განვითარების მოდელები", 0,8 ნ.თ.), "Journal of Business and Economics" ("ბიზნესისა და ეკონომიკის ჟურნალი")	ტომი 6, № 5	აშშ	გვ. 976-983
2	**ასოცირებული პროფესორი ინგა ბალარჯიშვილი**	BEHAVIOUR OF ELITES AS A FACTOR OF FORMATION OF THE "QUASI-INSTITUTIONAL" ENVIRONMENT IN GEORGIA. International Multidisciplinary Scientific Conferences on Social sciences and Arts, SGEM 2015,	Book 1, Volume 1, 2015 ISBN 978-80-87927-09-0 , IISES	Published by STEF92 Technology Ltd., 51 "Alexander Malinov" Blvd., 1712 Sofia, Bulgaria.	pp. 325-332
3	**M. Natsvaladze**	Sustainable Agriculture Development Problems in the Context of Providing food security in Georgia.	ISBN 978-80-87927-09-0, IISES	http://www.iises.net/proceedings/16th-international-academic-conference-amsterdam/table-of-content?cid=25&iid=54&rid=3820	14
4	**M. Natsvaladze** **N. Beraia**	Medium-Term Prognosis of Residential Real Estate Market Price Indices in Tbilisi, Georgia.		http://www.iises.net/proceedings/16th-international-academic-	10

				conference-amsterdam/table-of-content?cid=25&iid=16&rid=3874	

ანოტაციები

1. სტატიაში შესწავლილია ნეკროეკონომიკაზე დაფუძნებული პოსტსაბჭოთა პოსტინდუსტრიალიზმის თავისებურებები. რუსეთის ეკონომიკის დიდმა მასშტაბებმა საქართველოსთან შედარებით უფრო გაამწვავა ნეკროეკონომიკის პრობლემა გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის პირობებში. ნაჩვენებია, რომ დღეისათვის საქართველოსა და რუსეთშიც არსით ერთნაირი ღაირიბი ქვეყნის მომხმარებლური მოდელი.

2. სტატიაში, ნეოინსტიტუციურ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, გაანალიზებულია ელიტების ქცევის თავისებურებანი საქართველოში და მისი გავლენა ეკონომიკაზე პოსტსაბჭოთა ინსტიტუციური ტრანსფორმაციის პროცესში. პროცესი საქართველოში მიმდინარეობდა პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტის მეტისმეტი გავლენით, რომელიც ხასიათდებოდა "ნორმატიული ფეტიშიზმით", საზოგადოებირ ინტერესების გაუთვალისწინებლობით. ელიტების ხელში ძალმომრეობის პოტენციალის კონცენტრაციამ და მათ მიერ ინსტიტუტების ბოროტადგამოყენების მრავალფეროვანმა ფორმებმა – ინსტიტუტებით მანიპულირებამ, ინსტიტუტების "მიტაცებამ", ინსტიტუტების გამოყენებამ "ნიღბად" და სხვ. – განაპირობა მათი გადაქცევა "კლუბურ" საქონლად, საკუთრების უფლებების დაუცველობა, კორუფცია, კლიენტელიზმი, ფავორიტიზმი, გადაწყვეტილებების მიღების კულუარიზაცია. "თამაში წესების მიხედვით" ჩაანაცვლა "წესებთან თამაშმა". ოველივე ამან ხელი შეუწყო "კვაზიინსტიტუციური" ეკონომიკური გარემოს და "შეზღუდული ხელმისაწვდომობის წესის" ფორმირებას. ქართული ინსტიტუტების მომავალი მოდერნიზაცია და "ბუნებრივი სახელმწიფოდან გადასვლა "ღია ხელმისაწვდომობის რეჟიმში" საჭიროებს საზოგადოებისთვის დამატებითი "გარდამავალი პირობების", როგორც ელიტების ვოლუნტარისტული ქცევის შემაკავებელი ფაქტორის, არსებობას: სამართლის უზენაესობას მოქალაქეებისთვის და კონსოლიდირებული კოლექტიური მოქმედებებისთვის მზადყოფნას.

3. **მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემები საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის კონტექსტში**

საქართველოს, მისი უნიკალური ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, აქვს ძალიან კარგი პერსპექტივა გახდეს ბიოპროდუქციის სერიოზული მწარმოებელი და კონკურენტუნარიანი ექსპორტიორი ევროკავშირის ქვეყნებისთვის.

კვლევის ამოცანა იყო იმის დადგენა, თუ რას ფიქრობენ ფერმერები მდგრადი სოფლის მეურნეობის გარემოს, ეკონომიკურ და სოციალურ ასპექტებზე. ამჯერად ჩატარებულ იქნა კვლევა კახეთის რეგიონის ფერმერებზე.

კვლევას მიზნები განისაზღვრა შემდეგნაირად:

1. ფერმერების შეხედულებების დადგენა იმ ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ მდგრად სოფლის მეურნეობაზე;

2. ფერმერების შეხედულებების დადგენა მდგრადი სოფლის მეურნოების ბუნებრივი გარემოს, ეკონომიკურ და სოციალურ ასპექტებზე;

3. განსაზღვროს ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს მდგრადი სოფლის მეურნეობის ბუნებრივი გარემოს, ეკონომიკურ და სოციალურ ასპექტებზე.

ამ კვლევაში გამოყენებული მეთოდოლოგია მოიცავს როგორც კორელაციას და რეგრესიას,

ასევე აღწერილობით ანალიზს მონაცემების დასამუშავებლად. მონაცემები ინტერვიუს მეთოდით შეგროვდა.

ბიომეურნეობები მაშინ შეიძლება განვითარდეს, თუ შემდეგი საკითხები იქნება სისტემურ დონეზე მოგვარებული:

1. უნდა ამაღლდეს ფერმერთა კვალიფიკაცია. ფერმერებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი ცოდნა და კვალიფიკაცია, თუ რას ნიშნავს ბიომეურნეობა, ბიოპროდუქტი, რა პერსპექტივები აქვს ამ დარგს, როგორ უნდა მოხდეს მეურნეობის ორგანულზე გადაყვანა და ა.შ.
2. სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა: ფერმერებმა მაქსიმალურად უმტკივნეულოდ უნდა შეძლონ კონვენციური (ტრადიციული) მეურნეობიდან ორგანულზე გადასვლა, რომელსაც გარკვეული დრო და ფინანსური რესურსები ესაჭიროება.
3. სერთიფიცირების სიმარტივე და სრულყოფა: ბიომეურნეს უნდა ჰქონდეს იმის გარანტია, რომ მის მიერ ყველა წესის დაცვით მოყვანილ ბიოპროდუქციას არ შეექმნება პრობლემები და ზოგადად არ დადგება ეჭვქვეშ მისი ორგანულობა.
4. რეალიზაციის სათანადო პირობების შექმნა: ჩვეულებრივი ფერმერი ვერ დაუკავშირდება უცხოეთში სავარაუდო მყიდველს, ვერ დადებს კონტრაქტს და ვერ მოაგვარებს ექსპორტთან დაკავშირებულ რთულ პროცედურებს. საჭიროა მოხდეს უცხოური ბაზრების შესწავლა და დივერსიფიკაცია.

4. თბილისის საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრის საფასო ინდიკატორების საშუალო-ვადიანი პროგნოზირება

კვლევის ობიექტს წარმოადგენს თბილისის საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზარი; კვლევის მიზანია საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრის საფასო ინდიკატორების დროითი მწკრივის საფუძველზე საშუალოვადიანი პროგნოზირება. კვლევის მეთოდი - კომბინირებული ტექნიკური ანალიზისა და ევრისტიკული ანალიზის მეთოდები.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მარტივი ექსტრაპოლაცია არ იძლევა სასურველ შედეგს, მაშინ როდესაც კომბინირებული მეთოდი, რომელიც სტატისტიკური და ევრისტიკული ანალიზის ელემენტებს მოიცავს, გაცილებით მეტი სიზუსტით პროგნოზირების საშუალებას იძლევა.

კვლევის შედეგები საინტერესო იქნება უძრავი ქონების ბაზრის მონაწილეებისათვის, დეველოპერული პროექტების ეფექტიანობის ასამაღლებლად, უძრავი ქონების მასობრივი შეფასების მიზნებისათვის, უძრავ ქონებაში ინვესტიციების რისკების განსაზღვრისათვის.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**ასისტენტ პროფესორი თამარ ათანელიშვილი**	FAILURE OF THE KEYNESIAN MULTIPLIER DOCTRINE:SOME ASPECTS OF INTERRELATION BETWEEN INVESTMENTS AND EMPLOYMENT (კეინზური მულტიპლიკაციური დოქტრინის უარყოფა: ინვესტიციებისა და	*თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. 10-11 ივლისი, თბილისი, 2015.*

		დასაქმების ურთიერთკავშირის ზოგიერთი ასპექტი)	

ანოტაცია

მოხსენებაში ყურადღება გამახვილდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ურთიერთკავშირზე. კვლ. აღინიშნა, რომ პოსტსაბჭოური საქართველოს რეალობაში, კეინზური მაკროეკონომიკური მულტიპლიკატორის დოქტრინა არ მოქმედებს, რამდენადაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ვინაიდან ზრდამ იმავდროულად ვერ უზრუნველყო ახალი სამუშაო ადგფილების შექმნა.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**ასოცირებული პროფესორი ინგა ბალარჯიშვილი**	CONTRADICTIONS OF DEVELOPMENT OF CIVIL SOCIETY AS ECONOMIC ACTOR IN GEORGIA.	17th EBES (Eurasia Business and Economics Society) CONFERENCE. October 15-17, 2015, Venice, ITALY
2	**პროფესორი თეიმურაზ ბერიძე**	საკუთრების ეკონომიკური და სამართლებრივი ასპექტები	ბოსტონი, აშშ ოქტომბერი, 2015

მოხსენებათა ანოტაციები

1. სტატიაში, ნეოინსტიტუციურ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, გაანალიზებულია საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების, როგორც ეკონომიკური აქტორის, განვითარების დამაბრკოლებელი ფაქტორები და სოციალურ-ეკონომიკური შედეგები პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის პერიოდში. გამოვლენილია სამოქალაქო საზოგადოების დღევანდელი მდგომარეობის ნაკლოვანებანი და წინააღმდეგობანი, რაც აისახა როგორც სოციალურ და პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ მახასიათებლებში, კერძოდ: გარე ეფექტების ინტერნალიზაციის დაბალი ხარისხი – არ არსებობს "შეთანხმებული" შრომის დანაწილება სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის; მოლაპარაკების ძალის გამოთანაბრების მწირი შესაძლებლობები – ინდივიდის წარმომადგენლობითი ფუნქციის შესრულება მცირერიცხოვანი, უმნიშვნელო რესურსების მქონე ორგანიზაციის მიერ ვერ აძლიერებს მისი მოლაპარაკების პოზიციებს. სამოქალაქო საზოგადოების დომინირებული როლი ტრიადაში "სახელმწიფო - ბიზნესი - სამოქალაქო საზოგადოება"; "ურთიერთობითი" დოვლათის მიწოდების სიმცირე, რაც განაპირობა ქართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საზოგადოებაში ინტეგრირების დაბალმა ხარისხმა, კონცენტრაციამ დედაქალაქში და მისმა ჩაკეტილმა, ელიტურ-კორპორაციულმა ხასიათმა; სოციალურ კაპიტალში მოქალაქეთა ინვესტირების დაბალი დონე - საზოგადოებაში ჭარბობენ არა "მონაწილენი", არამედ "ქვეშევრდომები". საშუალო კლასის

არარსებობა – იგი წარმოადგენს უფრო მეტად ცხოვრების წესს, ვიდრე სოციალურ ჯგუფს, რომელიც გამოირჩევა შემოსავლების მიღების მექანიზმით, თავისი სტატუსით საზოგადოებრივ კვლავწარმოებაში და მისი აგენტების ინსტიტუციური იდენტურობით; "უბილეთო მგზავრის" პრობლემა; ინსტიტუციური ტრანსფორმაციის ელიტური ხასიათი და საზოგადოების პასიური როლი, რამაც გამოიწვია ინსტიტუტების როგორც საზოგადოებრივი საქონლის დეფიციტი, მისი გადაქცევა "კლუბურ" საქონლად. კვლევამ აჩვენა, რომ აღნიშნულმა გარემოებებმა ხელი შეუწყო საქართველოში ვერტიკალური სოციალური კონტრაქტის ფორმირებას და სახელმწიფოს მიერ თავისი "იერარქიის პრინციპის" გავრცელებას ეკონომიკასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობაზეც. მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას შეუძლია ახალი საზოგადოებრივი ხელშეკრულების ინიცირება, რომელშიც მთელი საზოგადოება გახდება ინსტიტუტების კონტროლის პროცესის აქტიური მონაწილე.

2. საკუთრება წარმოადგენს ინტერდისციპლინურ ფენომენს: ეკონომიკურ და იურიდიულ დისციპლინას. რა განსხვავებაა ამ ორი სოციალური მეცნიერების მიდგომას შორის. სამართლებრივი მიდგომა: ვის რა ეკუთვნის, რომელიც დასტურდება ლეგალური დოკუმენტით. ეკონომიკური ასპექტით: რა ურთიერთობებს გამოხატავს საკუთრება, რა შემოსავალს ქმნის საკუთრება. კერძოდ, საკუთრება ფუნქციონირების პროცესში ქმნის თუ არა დოვლათს და შემოსავალს.

მიუხედავად იმისა, რომ საკუთრებით ურთიერთობებს გააჩნია მრავალი ფორმა ერთი მათგანი ყოველთვის არის დომინანტი (მაგ; საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეს არის კერძო საკუთრება წარმოდგენილი თავისი მრავალსახეობებით, ხოლო სოციალისტური ეკონომიკის მოდელის შემთხვევაში ეს არის სახელმწიფო საკუთრება, სხვა ფორმა უბრალოდ ბუნებაში არ არსებობს).

საკუთრების ფორმის ეფექტიანობა დასტურდება მხოლოდ კონკრეტული ეკონომიკური შედეგებით. პოსტ-საპრივატიზაციო პერიოდმა ვერ დაადასტურა პირდაპირი კავშირი კერძო საკუთრებასა და ეკონომიკის ეფექტიანობას შორის.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	„ფერმერული მეურნეობების დივერსიფიკაციის შესაძლებლობები – ევროკავშირის მოდელები და გამოწვევები საქართველოში.“ ეკონომიკის მიმართულება, მიკროეკონომიკა	პროფ. ე. ხარაიშვილი	ასოცირებული პროფესორი **მ. ნაცვალაძე,** მკვლევარი	თსუ მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების კონკურსის ფარგლებში
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები				
კვლევა ორ ეტაპად წარიმართა. პირველ ეტაპზე მკვლევარებმა მოახდინეს მეორადი მონაცემების შეგროვება, დახარისხება და დამუშავება. ფერმერულ მეურნეობებთან				

დაკავშირებით შეგროვდა სტატისტიკური მონაცემები, პოლიტიკის დოკუმენტები, სამეცნიერო ნაშრომები, ანალიტიკური ანგარიშები და ა.შ.

დღეს მოქმედი ფერმერული მეურნეობებსა და ღვინის ქარხნებში ფაქტობრივი მდგომარეობის შესაფასებლად და ძირითადი გამოწვევების გამოსავლენად კვლევის მეორე ეტაპზე ჩატარდა თვისებრივი კვლევა, რისთვისაც წინასწარ მომზადდა როგორც საკვლევ საკითხთა ჩარჩო ჩამონათვალი, ასევე, ინტერვიუს ჩატარების სახელმძღვანელო.

გამოსაკვლევად შეირჩა მევენახეობა-მეღვინეობის დარგი, გეოგრაფიულ არეალად კი განისაზღვრა კახეთის რეგიონი. თავდაპირველი მონაცემთა ბაზა მოიცავდა 2166 ეკონომიკურ ერთეულს, საიდანაც სტრატიფიცირებული შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე ინტერვიუების ჩასატარებლად განისაზღვრა სამი ჯგუფი: ა/ ფერმერები, რომლებიც მხოლოდ მევენახეობას მისდევენ; ბ/ მევენახეობა-მეღვინეობით დაკავებული მეწარმეები; გ/ მხოლოდ მეღვინეობის სფეროს წარმომადგენლები.

სტრატა ჯგუფების გეოგრაფიული განშლის შესაბამისად კვლევითი ჯგუფი მივლინებით გაემგზავრა კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში: საგარეჯოში, გურჯაანში, თელავში, ყვარელში, ახმეტაში. მივლინების პროცესში გამოიკვეთა პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიან დარგის გაფართოება-განვითარებას, რესტრუქტურიზაციას. მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი განხორციელდება დედუქციური მიდგომის გამოყენებით. მოხდა მონაცემების დაჯგუფება და მსგავსებების გამოვლენა, საერთო ტენდენციებისა და განსხვავებების იდენტიფიცირება. შედეგების შეჯამებით გამოვლინდა საქართველოში ფერმერულ მეურნეობათა დივერსიფიკაციის ხელშემშლელი ბარიერები, ევროკავშირის ქვეყნებში არსებული მოდელების გათვალისწინებით შემუშავდა შმუშავდა პერსპექტივაში დივერსიფიკაციის შესაძლებლობების რეკომენდაციები.

კვლევის შედეგებს აქვს როგორც სამეცნიერო, ასევე, პრაქტიკული გამოყენება, კერძოდ სახელმწიფო პოლიტიკის შემმუშავებელ და განმახორციელებელ სტრუქტურებს შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ მეცნიერულად არგუმენტირებული რეკომენდაციები ფერემერული მეურნეობების დივერსიფიკაციის შესაძლებლობების შესახებ. დარგის ექსპერტები და მეცნიერები მიიღებენ დამატებით ინფორმაციასა და თეორიებს ფერმერული მეურნეობების განვითარების ფორმაციისა და დივერსიფიკაციის კუთხით, კვლევის შედეგები, ასევე, დაეხმარება ადგილობრივი, რეგიონული და ცენტრალური მთავრობის წარმომადგენლებს ერთობლივი სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების დაგეგმვაში. სტუდენტები კვლევის მასალებს გამოიყენებენ სასწავლო კურსებში, ასევე, სამეცნიერო კონფერენციებისა და სამაგისტრო კვლევითი თემების დამუშავების დროს.

კვლევის საფუძველზე მომზადდა სამეცნიერო პუბლიკაციები და გამოქვეყნდა საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში, ასევე, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომათა კრებულებში.

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება - **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა**

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი – **პროფესორი რევაზ გველესიანი**

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

ასოცირებული პროფესორი ირინა გოგორიშვილი
ასოცირებული პროფესორი შალვა გოგიაშვილი
ასოცირებული პროფესორი გულნაზ ერქომაიშვილი
ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკაშვილი
ასისტენტ პროფესორი გიორგი გაფრინდაშვილი
ასისტენტ პროფესორი ლალი ხურცია

პროფესორი რევაზ გველესიანი

* უცხოური სახელმწიფო გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	„ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა ევროინტეგრაციის გზაზე”, „საუნივერსიტეტო გრანტების პროგრამა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისათვის”; ხანგრძლივობა – 3 წელი (2013-2015 წწ.).	ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდი	პროფ. რევაზ გველესიანი	პროფ. რევაზ გველესიანი, ასოც. პროფ. ეკა ლეკაშვილი; დოქტორანტები გიორგი ყუფარაძე და ნანა მაისურაძე

დასრულებული პროექტის შედეგები

ანოტაცია

შემუშავდა და დამტკიცდა სამაგისტრო არჩევითი სასწავლო კურსის „ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა ევროინტეგრაციის გზაზე” სილაბუსი. ითარგმნა სასწავლო მასალები, მომზადდა ლექციების კურსი (ელექტრონული) და დაგეგმილია მისი გამოცემა დამხმარე სახელმძღვანელოს სახით. შემოდგომის სემესტრში (2013-2015 წწ.) მაგისტრანტები გადიან აღნიშნულ სასწავლო კურსს; 2013 წელს განხორციელდა პროექტის კონსულტანტების მისკოლკის უნივერსიტეტის (უნგრეთი) პროფესორის დანიელ კუტორის და კრაკოვის უნივერსიტეტის (პოლონეთი) პროფესორის ჯაკეკ კლიხის ვიზიტი და მათ მიერ ჩატარდა ლექციების ინტენსიური კურსი მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის. 2014-2015 წელს პროექტის ფარგლებში მოწვეულნი იყვნენ პროფესორები: დანიელ კუტორი (მისკოლკის უნივერსიტეტი, უნგრეთი) და დომინიკა ვოტჯოვიჩი (კრაკოვის უნივერსიტეტი, პოლონეთი), რომლებიც ეკონომიკური პოლიტიკის მოდულის მაგისტრანტებისათვის აგრძელებდნენ ლექციების ინტენსიურ კურსს თემაზე: „ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა ევროკავშირში ინტეგრაციამდე და ინტეგრაციის შემდეგ.”

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Rainer Klump	Wirtschaftspolitik, 3. Auflage	Muenchen, Pearson, 2013	347
2	Agnes Benassy-Quere, Benoit Coeure, Pierre Jacquet, Jean Pisani-Ferry	Economic Policy: Theory and Practice	Oxford University Press, 2010	709

ანოტაციები

1. პროფ. რ.გველესიანმა უზრუნველყო აღნიშნული გერმანულენოვანი სახელმძღვანელოს (ბაკალავრიატისათვის) თარგმანის სამეცნიერო რედაქტირება, რომელიც გამოიცა 2015 წელს და მისი პრეზენტაცია შედგა 2015 წლის 30 ივნისს;

2. პროფ. რ.გველესიანმა უზრუნველყო აღნიშნული ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოს (მაგისტრატურისათვის) ნაწილის თარგმანის სამეცნიერო რედაქტირება, რომელიც გამოიცემა 2016 წელს.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	რევაზ გველესიანი	ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებისა და ინტერესთა ჯგუფების ურთიერთობის პრობლემები	ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი,'' ტომი VIII, №1	თბილისის უნივერსიტეტი	გვ.9-18
2	**რევაზ გველესიანი,** ირინა გოგორიშვილი	ეკონომიკურდპოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პრობლემები და მათი დაძლევის შესაძლებლობები	ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი,'' ტომი VIII, №4	თბილისის უნივერსიტეტი	გვ.21-30

ანოტაციები

1. ახალი პოლიტიკური ეკონომიის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ინტერესთა ჯგუფების წარმოშობისა და მათი ეკონომიკურდპოლიტიკური გადაწყვეტილებების პროცესზე გავლენის გაანალიზება და შეფასება.

ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლები ინტერესთა ჯგუფებთან შეთანხმებას იმ

შემთხვევაში ცდილობენ, როდესაც ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებს ეკონომიკურ ინტერესთა კონფლიქტები საფრთხეს უქმნის. ზოგჯერ სახელმწიფოს მხრიდან საჭიროა კონიუნქტურის მიზნობრივი სტიმულირება, ხოლო შრომის ბაზრის მხარეთა მიერ დ დათმობა სტაბილიზაციის პოლიტიკის სასარგებლოდ. კანონები ეკონომიკური სტაბილურობისა და ზრდის შესახებ განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებისა და ინტერესთა ჯგუფების ერთდროულ და ურთიერთშეთანხმებულ მოქმედებას უწყობს ხელს.

ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლების მიერ მიღწეული შედეგები არადამაკმაყოფილებელი იქნება ინტერესთა ჯგუფების მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ინტერესთა ჯგუფები ეკონომიკური პოლიტიკის გატარების სფეროში ძალაუფლებას ფლობენ და ნებსით თუ უნებლიედ ზეგავლენას ახდენენ სახელმწიფო პოლიტიკაზე. ამით კი იზღუდება ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლის ავტონომია. იმის გათვალისწინებით, რომ დაუშვებელია ინტერესთა ჯგუფების ძალაუფლების შეზღუდვა, ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლები, ერთი მხრივ, ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების განხორციელებას ცდილობენ იმ პირობებში, როდესაც შესაძლებელია ინტერესთა ჯგუფებმა მათზე ზეგავლენა მოახდინონ. ამასთანავე აცნობიერებენ იმას, თუ რამდენად არიან ინტერესთა ჯგუფები პასუხისმგებელნი იმ ზიანზე, რომელიც ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებს ეხება. მეორე მხრივ, ისინი ცდილობენ ინტერესთა ჯგუფებთან შეთანხმებას იმ საფუძველზე, რომ მიზნის ასეთი დაზარალებით თვით ინტერესთა ჯგუფების წარმომადგენლებიც ზარალდებიან.

ფასების სტაბილურობისა და დასაქმების მაღალი დონის მიზნებს შორის კონფლიქტი პირველის გამოხატულებაა, ხოლო მეორე ინსტრუმენტი-შეთანხმება, მისი კორპორაციული ასპექტის გამოა სასურველი, რაც გულისხმობს იმას, რომ ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში ხელი ყველას უნდა მიუწვდებოდეს. თუმცა ეკონომიკური პოლიტიკის კორპორაციული ხასიათის წინააღმდეგ მარტო კონსტიტუციური პრინციპები როდი მეტყველებს, ასეთ ვითარებაში მისი შედეგებიც, მეცნიერთა სოლიდური ნაწილის აზრით, საეჭვო ღირებულებისაა. ისინი თვლიან, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა არის არა სახელმწიფოს ორგანოებთან დაკავშირებული გავლენიანი ჯგუფების კონსორციუმი, არამედ იგი ეხება თითოეულ სუვერენულ მოქალაქეს, რომელიც გადასახადებს იხდის და როგორც ეკონომიკური სუბიექტი, ხარჯებს სწევს.

2. გადაწყვეტილების მომზადებისა და მიღების ემპირიულად სრულყოფილი პროცესის დროს, გადაწყვეტილების მიღების წესის დახმარებით, შესაძლებელია იმის წარმოდგენა თუ როგორი იქნება რაციონალური მოქმედება. გადაწყვეტილების ნორმატიული თეორიის ფარგლებში სწორედ რაციონალური მოქმედების ჩართვა განიხილება. ეს ხდება სარეკომენდაციო დებულებების მისაღებად. ხოლო პოზიტიურ თეორიებში მთავარია იმ კანონზომიერებების გამოაშკარავება და ის ქმედებები, რომლებსაც რეალური გადაწყვეტილებები მოჰყვება. ამ ასპექტით გასათვალისწინებელია ორი დონე:

- მიკროთეორიული დონე, სადაც განხილვის საგანს წარმოადგენს გადაწყვეტილებათა გამომწვევი ინდივიდუალური ფაქტორების ქცევა და
- მაკროთეორიული დონე, სადაც განიხილება კოლექტიური ფაქტორების ის ქმედებები, რომლებსაც გადაწყვეტილებები მოსდევს.

არსებობს რამდენიმე რაციონალური პრინციპი, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს განუსაზღვრელობის პირობებში მიღებული გადაწყვეტილება. თუმცა შეუძლებელია ასეთი პრინციპებიდან ქცევის საყოველთაო წესი გამოვიყვანოთ. პირიქით, ერთმანეთის საპირისპირო უამრავი წესი არსებობს. მათი დანიშნულება ისაა, რომ გადაწყვეტილების მიმღები იმ მდგომარეობაში ჩააყენოს, სადაც მას შეეძლება შედეგებს შორის არჩევანის გაკეთების თანმიმდევრულობა სათანადო ღირებულებას დაუქვემდებაროს.

რაციონალურობის პრინციპი მოითხოვს, რომ ეკონომიკურდპოლიტიკური გადაწყვეტილებები რაც შეიძლება გლობალურად იყოს ფორმულირებული. მაგრამ, ამავე დროს, ანგარიში უნდა გავუწიოთ გადაწყვეტილების მომზადებასთან დაკავშირებულ სირთულეებს, მით უმეტეს, როდესაც საქმე განუსაზღვრელობასთან გვაქვს. ეკონომიკური პოლიტიკის ყველა მნიშვნელოვანი ცვლადი არ არის იმ ზომამდე ოპერაციონალიზებადი, რომ გადაწყვეტილებათა მომზადება ისეთ დონეზე განხორციელდეს, რომელიც მოქმედების პრობლემის გლობალური შეფასების შესაძლებლობას მოგვცემდა.

შეფასების ფუნქცია გადაწყვეტილების წესთან ერთად განსაზღვრავს იმას, თუ ინსტრუმენტების რომელ ვარიანტს უნდა მიენიჭოს უპირატესობა. ასეთი ფუნქციები და წესები, უპირველეს ყოვლისა, გადაწყვეტილების მიღების პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობაზეა ორიენტირებული. ისინი გადაწყვეტილების მომზადების პრაქტიკული სიტუაციებისაგან განსხვავებით, გადაწყვეტილების ერთადერთ მიმღებს ითვალისწინებენ.

ზოგადად მოკლებული ვართ გადაწყვეტილების მომზადების პრაქტიკულ მეთოდებს, რომელიც აუცილებელია განუსაზღვრელობის პირობებში ეკონომიკურდპოლიტიკურ მოქმედებათა დასაგეგმად. ერთი მხრივ, ამის მიზეზი ისაა, რომ გადაწყვეტილების ველზე არსებული ურთიერთკავშირების შესახებ საკმარისი ცოდნა არ გაგვაჩნია. მეორე მხრივ, არ ვიცით მოსალოდნელ შეფასებულ შედეგთა არც რაოდენობა და არც სახეობა. ასე, რომ გადაწყვეტილების მომზადების პრობლემის კომპლექსურობასა და მისი ანალიტიკური და სიღრმისეული წვდომის რეალურ შესაძლებლობებს შორის გარკვეული შეუსაბამობა არსებობს.

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Revaz Gvelesiani	Intrinstic Contradictions of Entrepreneurship Development and Self-development, XIII International Conference on Economics, Business and Marketing Management	Madrid, Spain, International Science Index, eISSN: 1307-6892	p.1344-1346

ანოტაციები

1.სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკისა და საწარმოთა სამეწარმეო პოლიტიკის შესაბამისობის პრობლემა, უწინარეს ყოვლისა, სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისა და თვითგანვითარების სტრატეგიების თავსებადობის წინააღმდეგობაში ვლინდება.

სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განვითარების მიზნით გატარებულ სხვადასხვა სახეობის პოლიტიკათა (საფინანსო, ფულადი, სოციალური და ა. შ.) შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკას ენიჭება. მისი მიზანია

განსაზღვროს ჩარჩო პირობები, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ეკონომიკური აქტივობისათვის და მიაღწიოს შესაბამისობას საზოგადოებრივ ღირებულებათა სისტემასა და ეკონომიკური წესრიგის ჩარჩო პირობების ფორმირებას შორის.

ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა, თავის მხრივ, შინაგან წინააღმდეგობას გულისხმობს, რომელიც არსებობს სოციალურ და კონკურენციულ წესრიგს შორის. კონკურენციული წესრიგი ორიენტირებულია წარმატების პრინციპზე, სოციალური წესრიგი კი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების კრიტერიუმებზე, რომლებიც ნაწილობრივ მაინც წარმატების პრინციპს ეწინააღმდეგება [1, 50-51]. ასე, რომ ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკაში, ერთის მხრივ, სახელმწიფო ცდილობს სოციალური წესრიგის ფორმირებას და მისი საზღვრების გაფართოებას, ხოლო მეორეს მხრივ, ბაზარი მოწოდებულია დაამკვიდროს ფუნქციონირებისუნარიანი კონკურენციული წესრიგი და უზრუნველყოს მისი განხორციელება. სწორედ სახელმწიფო (სოციალური წესრიგი) და კერძო ეკონომიკური (კონკურენციული წესრიგი) აქტივობისათვის შესაბამისი სივრცეების დადგენა და მათ შორის რაციონალური საზღვრის „დაწესება", მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის აზრით, წარმოადგენს გადამწყვეტი მნიშვნელობის ფენომენს. იმ ქვეყნებში, სადაც აღნიშნული სივრცეები და საზღვარი სწორადაა „დადგენილი", მეწარმეობის სუბიექტები (მცირე, საშუალო და დიდი საწარმოები) დიდ წარმატებებს აღწევენ ქვეყნის შიდა, ევროპის და მსოფლიო ბაზრის შესაბამისი სეგმენტების „დაპყრობით" და ლიდერი საწარმოს პოზიციის ხანგრძლივად შენარჩუნებით.

რაც შეეხება სამეწარმეო საქმიანობის თვითგანვითარების სტრატეგიას, იგი უწინარეს ყოვლისა გულისხმობს:

- ბაზრის განსაზღვრას;
- მომხმარებლებთან ურთიერთობას;
- განუწყვეტელ ინოვაციას;
- კონკურენციის სტრატეგიას;
- პარტნიორებთან დამოკიდებულებას;
- მენეჯმენტის ახალ ფილოსოფიას და ა. შ.

როგორც სამეწარმეო საქმიანობის განვითარების სტრატეგია, ასევე მისი თვითგანვითარების სტრატეგიაც შინაგანი წინააღმდეგობით ხასიათდება. ესაა მეწარმეობის სტრატეგიასა და მეწარმეობის კულტურას შორის შესაბამისობის პრობლემა.

მეწარმეობის სტრატეგიასა და მეწარმეობის კულტურას შორის შესაბამისობის ანალიზი ამოსავალი წერტილი უნდა იყოს ყოველგვარი ინტერნაციონალიზაციისა, რათა თავიდან ავიცილოთ შოკები კულტურის თვალსაზრისით და ეკონომიკური ჩამორჩენა. სტაბილიზაციის პროცესი მხოლოდ მაშინ მიიღწევა, თუ თანამშრომელთა მოქმედება არსებულ კულტურას ასახავს, ხოლო კულტურის ახალი შინაარსი (მიზნად დასახული კულტურა) პერსონალის იმპლიციტურ ცნობიერებადაა ქცეული. მომავალმა ლიდერებმა უნდა ისწავლონ, თუ როგორ მართონ განსხვავებული კულტურები.

მეწარმეობის წარმატებით მართვა შესაძლებელია თუ მისი სტარეტგია და კულტურა ერთმანეთს ესადაგება. მაგრამ არც თუ იშვიათად საწარმოები (ორგანიზაციები) გვიჩვენებენ ადამიანთა როგორც პიროვნული, ასევე ჯგუფური მოქმედების დარღვევის სხვადასხვა ფორმებს. თუ პიროვნული და ჯგუფური დარღვევები კულტურაზე ზემოქმედების ფორმად მოგვევლინება, მაშინ ეს გამოიწვევს სისტემისა და სტრუქტურის გლობალურ დარღვევებს. სწორედ მეწარმეობის კულტურის პათოლოგია აძნელებს შესაბამისობის მიღწევას მეწარმეობის სტრატეგიასა და მეწარმეობის კულტურას შორის.

ამრიგად, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკისა და საწარმოთა სამეწარმეო პოლიტიკის შესაბამისობის მიღწევას ართულებს სამეწარმეო საქმიანობის, როგორც

განვითარების სტრატეგიის, ასევე თვითგანვითარების სტრატეგიის შინაგანი წინააღმდეგობანი: ერთი მხრივ, ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის ფარგლებში არსებული წინააღმდეგობა სოციალურ და კონკურენციულ წესრიგს შორის, ხოლო მეორე მხრივ, სამეწარმეო პოლიტიკის ფარგლებში არსებული წინააღმდეგობა მეწარმეობის სტრატეგიასა და მეწარმეობის კულტურას შორის.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Revaz Gvelesiani	Intrinstic Contradictions of Entrepreneurship Development and Self-development, XIII International Conference on Economics, Business and Marketing Management, International Science Index, World Academy of Science, Engineering and Technology – International Journal of Social, Management, Economics and Business Engineering. **(Dublicat)**	Vol: 9 no:3	Madrid, Spain, March 26-27, 2015 http://waset.org/publications/	7p.
2*	Revaz Gvelesiani	The Influence of Interest Groups on Economic Policy and Its Contradictory Results, Journal of Academy of Business and Econimics	JABE, Volume 15, Issue 2, 2015. ISSN: 1542-8710 http://dx.doi.org/10.18374/JABE-15-2.4	South Stockholm University, Sweden	p.35-40

2*2015 წლის ივნისში რომში ბიზნესისა და ეკონომიკის საერთაშორისო აკადემიის (IABE) მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციაზე რევაზ გველესიანის ამ ნაშრომმა, თსუ მეცნიერთა კვლევებთან ერთად, ექსპერტების მაღალი შეფასება დაიმსახურა, რის საფუძველზეც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საუკეთესო კვლევით ცენტრებს შორის მეორე ადგილი მიენიჭა.

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკისა და საწარმოთა სამეწარმეო პოლიტიკის შესაბამისობის პრობლემა, უწინარეს ყოვლისა, სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისა და თვითგანვითარების სტრატეგიების თავსებადობის წინააღმდეგობაში ვლინდება.

სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განვითარების მიზნით გატარებულ სხვადასხვა სახეობის პოლიტიკათა (საფინანსო, ფულადი, სოციალური და ა. შ.) შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკას ენიჭება. მისი მიზანია განსაზღვროს ჩარჩო პირობები, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ეკონომიკური აქტივობისათვის და მიაღწიოს შესაბამისობას საზოგადოებრივ ღირებულებათა სისტემასა და ეკონომიკური წესრიგის ჩარჩო პირობების ფორმირებას შორის.

ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა, თავის მხრივ, შინაგან წინააღმდეგობას გულისხმობს, რომელიც არსებობს სოციალურ და კონკურენციულ წესრიგს შორის. კონკურენციული წესრიგი ორიენტირებულია წარმატების პრინციპზე, სოციალური წესრიგი კი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების კრიტერიუმებზე, რომლებიც ნაწილობრივ მაინც წარმატების პრინციპს ეწინააღმდეგება [1, 50-51]. ასე, რომ ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკაში, ერთის მხრივ, სახელმწიფო ცდილობს სოციალური წესრიგის ფორმირებას და მისი საზღვრების გაფართოებას, ხოლო მეორეს მხრივ, ბაზარი მოწოდებულია დაამკვიდროს ფუნქციონირებისუნარიანი კონკურენციული წესრიგი და უზრუნველყოს მისი განხორციელება. სწორედ სახელმწიფო (სოციალური წესრიგი) და კერძო ეკონომიკური (კონკურენციული წესრიგი) აქტივობისათვის შესაბამისი სივრცეების დადგენა და მათ შორის რაციონალური საზღვრის „დაწესება", მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის აზრით, წარმოადგენს გადამწყვეტი მნიშვნელობის ფენომენს. იმ ქვეყნებში, სადაც აღნიშნული სივრცეები და საზღვარი სწორადაა „დადგენილი", მეწარმეობის სუბიექტები (მცირე, საშუალო და დიდი საწარმოები) დიდ წარმატებებს აღწევენ ქვეყნის შიდა, ევროპის და მსოფლიო ბაზრის შესაბამისი სეგმენტების „დაპყრობით" და ლიდერი საწარმოს პოზიციის ხანგრძლივად შენარჩუნებით.

რაც შეეხება სამეწარმეო საქმიანობის თვითგანვითარების სტრატეგიას, იგი უწინარეს ყოვლისა გულისხმობს:

ბაზრის განსაზღვრას;

მომხმარებლებთან ურთიერთობას;

განუწყვეტელ ინოვაციას;

კონკურენციის სტრატეგიას;

პარტნიორებთან დამოკიდებულებას;

მენეჯმენტის ახალ ფილოსოფიას და ა. შ.

როგორც სამეწარმეო საქმიანობის განვითარების სტრატეგია, ასევე მისი თვითგანვითარების სტრატეგიაც შინაგანი წინააღმდეგობით ხასიათდება. ესაა მეწარმეობის სტრატეგიასა და მეწარმეობის კულტურას შორის შესაბამისობის პრობლემა.

მეწარმეობის სტრატეგიასა და მეწარმეობის კულტურას შორის შესაბამისობის ანალიზი ამოსავალი წერტილი უნდა იყოს ყოველგვარი ინტერნაციონალიზაციისა, რათა თავიდან

ავიცილოთ შოკები კულტურის თვალსაზრისით და ეკონომიკური ჩამორჩენა. სტაბილიზაციის პროცესი მხოლოდ მაშინ მიიღწევა, თუ თანამშრომელთა მოქმედება არსებულ კულტურას ასახავს, ხოლო კულტურის ახალი შინაარსი (მიზნად დასახული კულტურა) პერსონალის იმპლიციტურ ცნობიერებადაა ქცეული. მომავალმა ლიდერებმა უნდა ისწავლონ, თუ როგორ მართონ განსხვავებული კულტურები.

მეწარმეობის წარმატებით მართვა შესალებელია თუ მისი სტრატეგია და კულტურა ერთმანეთს ესადაგება. მაგრამ არც თუ იშვიათად საწარმოები (ორგანიზაციები) გვიჩვენებენ ადამიანთა როგორც პიროვნული, ასევე ჯგუფური მოქმედების დარღვევის სხვადასხვა ფორმებს. თუ პიროვნული და ჯგუფური დარღვევები კულტურაზე ზემოქმედების ფორმად მოგვევლინება, მაშინ ეს გამოიწვევს სისტემისა და სტრუქტურის გლობალურ დარღვევებს. სწორედ მეწარმეობის კულტურის პათოლოგია აძნელებს შესაბამისობის მიღწევას მეწარმეობის სტრატეგიასა და მეწარმეობის კულტურას შორის.

ამრიგად, სახელმწიფის ეკონომიკური პოლიტიკისა და საწარმოთა სამეწარმეო პოლიტიკის შესაბამისობის მიღწევას ართულებს სამეწარმეო საქმიანობის, როგორც განვითარების სტრატეგიის, ასევე თვითგანვითარების სტრატეგიის შინაგანი წინააღმდეგობანი: ერთი მხრივ, ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის ფარგლებში არსებული წინააღმდეგობა სოციალურ და კონკურენციულ წესრიგს შორის, ხოლო მეორე მხრივ, სამეწარმეო პოლიტიკის ფარგლებში არსებული წინააღმდეგობა მეწარმეობის სტრატეგიასა და მეწარმეობის კულტურას შორის.

2. ახალი პოლიტიკური ეკონომიის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ინტერესთა ჯგუფების წარმოშობისა და მათი ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე გავლენის გაანალიზება და შეფასება.

ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლები ინტერესთა ჯგუფებთან შეთანხმებას იმ შემთხვევაში ცდილობენ, როდესაც ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებს ეკონომიკურ ინტერესთა კონფლიქტები საფრთხეს უქმნის. ზოგჯერ სახელმწიფოს მხრიდან საჭიროა კონიუნქტურის მიზნობრივი სტიმულირება, ხოლო შრომის ბაზრის მხარეთა მიერ დ დათმობა სტაბილიზაციის პოლიტიკის სასარგებლოდ. კანონები ეკონომიკური სტაბილურობისა და ზრდის შესახებ განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებისა და ინტერესთა ჯგუფების ერთდროულ და ურთიერთშეთანხმებულ მოქმედებას უწყობს ხელს.

ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლების მიერ მიღწეული შედეგები არადამაკმაყოფილებელი იქნება ინტერესთა ჯგუფების მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ინტერესთა ჯგუფები ეკონომიკური პოლიტიკის გატარების სფეროში ძალაუფლებას ფლობენ და ნებსით თუ უნებლიედ ზეგავლენას ახდენენ სახელმწიფო პოლიტიკაზე. ამით კი იზღუდება ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლის ავტონომია. იმის გათვალისწინებით, რომ დაუშვებელია ინტერესთა ჯგუფების ძალაუფლების შეზღუდვა, ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლები, ერთი მხრივ, ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების განხორციელებას ცდილობენ იმ პირობებში, როდესაც შესაძლებელია ინტერესთა ჯგუფებმა მათზე ზეგავლენა მოახდინონ. ამასთანავე აცნობიერებენ იმას, თუ რამდენად არიან ინტერესთა ჯგუფები პასუხისმგებელნი იმ ზიანზე, რომელიც ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებს ეხება. მეორე მხრივ, ისინი ცდილობენ ინტერესთა ჯგუფებთან შეთანხმებას იმ საფუძველზე, რომ მიზნის ასეთი დაზარალებით თვით ინტერესთა ჯგუფების წარმომადგენლებიც ზარალდებიან.

ფასების სტაბილურობისა და დასაქმების მაღალი დონის მიზნებს შორის კონფლიქტი პირველის გამოხატულებაა, ხოლო მეორე ინსტრუმენტი-შეთანხმება, მისი კორპორაციული ასპექტის გამოა სასურველი, რაც გულისხმობს იმას, რომ ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში ხელი ყველას უნდა მიუწვდებოდეს. თუმცა ეკონომიკური პოლიტიკის კორპორაციული ხასიათის წინააღმდეგ მარტო კონსტიტუციური პრინციპები როდი

მეტყველებს, ასეთ ვითარებაში მისი შედეგებიც, მეცნიერთა სოლიდური ნაწილის აზრით, საეჭვო ღირებულებისაა. ისინი თვლიან, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა არის არა სახელმწიფოს ორგანოებთან დაკავშირებული გავლენიანი ჯგუფების კონსორციუმი, არამედ იგი ეხება თითოეულ სუვერენულ მოქალაქეს, რომელიც გადასახადებს იხდის და როგორც ეკონომიკური სუბიექტი, ხარჯებს სწევს.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	რევაზ გველესიანი	ძირითადი საზოგადოებრივი ღირებულებები – ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების განმსაზღვრელი	თბილისი, თსუ, ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა, 2015 წლის 17 ნოემბერი

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1.რაციონალური ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება და ინტერესთა კონფლიქტის გადაჭრა ობიექტურად მოითხოვს ჩამოყალიბდეს ეკონომიკურ-პოლიტიკური პრობლემების სტრუქტურა და მოხდეს მისი განხილვა ძირითადი საზოგადოებრივი ღირებულებების კონტექსტში.

ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნები არ სრულდება მათი ოპერაციონალიზების ბევრ შემთხვევაში. არასაკმარისი ოპერაციონალიზების შესაძლებლობა ძევს თვითონ მიზანში ან გაბატონებული კონსენსუსი არ იძლევა მიზნების ნათელი და ცალსახა განსაზღვრის საშუალებას. ასევე არარეალისტური იქნებოდა სრულყოფილი და დროის მიხედვით მეტნაკლებად სტაბილური პრეფერენციული წესრიგის შექმნა მიზნების მიღწევის თვალსაზრისით.

მოქმედების თავისუფლების სუბიექტური საზღვრები უფრო ვიწროა, ვიდრე ბუნების კანონებით მოცემული. ის მხოლოდ ინდივიდში იქმნება და განსაზღვრავს მის შიდა თავისუფლებას, როგორც თვითგანსაზღვრის შანსს (ავტონომია); ხოლო საზოგადოებრივი საზღვრები მოიცავს ურთიერთობას ცალკეულ სუბიექტებს შორის. სწორედ ისინი განსაზღვრავენ ინდივიდების გარე (ადამიანთაშორის) თავისუფლებას და ამით მათ შანსს იმოქმედონ საზოგადოებაში (ჰეტერონომია). თავისუფლების შემზღუდავი ზემოქმედების მოხდენის შესაძლებლობა ადამიანთა ფსიქიკაში, რომლებიც ზეგავლენის ქვეშ იმყოფებიან, იმ ზომისაა, თუ რამდენად არიან ისინი მზად სხვა სუბიექტების განსაზღვრისათვის თვითგანსაზღვრასთან შედარებით.

ამ კონტექსტში ძალაუფლება წარმოგვიდგება, როგორც კონტინუუმი (მთლიანობა): მის ერთ მხარეს მოსალოდნელია საზოგადოებრივ ურთიერთობებში ინდივიდის მოქმედების თავისუფლების შეუზღუდავი თვითგანსაზღვრა (ავტონომია) და სხვისი უძლურება, ხოლო მეორე მხარეს მისი ტოტალური განსაზღვრა სხვის მიერ (ჰეტერონომია) დ სხვისი ძალაუფლების ქვეშ მოქცევა.

გადაწყვეტილების მომზადებისა და მიღების ემპირიულად სრულყოფილი პროცესის დროს, გადაწყვეტილების მიღების წესის დახმარებით, შესაძლებელია იმის წარმოდგენა თუ როგორი იქნება რაციონალური მოქმედება, როცა საქმე გვაქვს გადაწყვეტილებათა გამომწვევ ინდივიდუალური და კოლექტიური ფაქტორების ქმედებებთან.

არსებობს რამდენიმე რაციონალური პრინციპი, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს განუსაზღვრელობის პირობებში მიღებული გადაწყვეტილება. თუმცა შეუძლებელია ასეთი პრინციპებიდან ქცევის საყოველთაო წესი გამოვიყვანოთ. პირიქით, ერთმანეთის საპირისპირო უამრავი წესი არსებობს. მათი დანიშნულება ისაა, რომ გადაწყვეტილების მიმღები იმ მდგომარეობაში ჩააყენოს, სადაც მას შეეძლება შედეგებს შორის არჩევანის გაკეთების თანმიმდევრულობა სათანადო ღირებულებას დაუქვემდებაროს.

რაციონალურობის პრინციპი მოითხოვს, რომ ეკონომიკურდპოლიტიკური გადაწყვეტილებები რაც შეიძლება გლობალურად იყოს ფორმულირებული. მაგრამ, ამავე დროს, ანგარიში უნდა გავუწიოთ გადაწყვეტილების მომზადებასთან დაკავშირებულ სირთულეებს, მით უმეტეს, როდესაც საქმე განუსაზღვრელობასთან გვაქვს. ეკონომიკური პოლიტიკის ყველა მნიშვნელოვანი ცვლადი არ არის იმ ზომამდე ოპერაციონალიზებადი, რომ გადაწყვეტილებათა მომზადება ისეთ დონეზე განხორციელდეს, რომელიც მოქმედების პრობლემის გლობალური შეფასების შესაძლებლობას მოგვცემდა.

შეფასების ფუნქცია გადაწყვეტილების წესთან ერთად განსაზღვრავს იმას, თუ ინსტრუმენტების რომელ ვარიანტს უნდა მიენიჭოს უპირატესობა. ასეთი ფუნქციები და წესები, უპირველეს ყოვლისა, გადაწყვეტილების მიღების პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობაზეა ორიენტირებული. ისინი გადაწყვეტილების მომზადების პრაქტიკული სიტუაციებისაგან განსხვავებით, გადაწყვეტილების ერთადერთ მიმღებს ითვალისწინებენ.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Revaz Gvelesiani	Intrinstic Contradictions of Entrepreneurship Development and Self-development, XIII International Conference on Economics, Business and Marketing Management	March 26-27, 2015 Madrid, Spain
2	Revaz Gvelesiani	The Influence of Interest Groups on Economic Policy and Its Contradictory Results, Journal of Academy of Business and Econimics	June 18-20, 2015 Rome, Italy
3	Revaz Gvelesiani	The Role of Innovative Entrepreneurship in Reducing Social Ineqaulity	LSE, The London School of Economics and Political Science; SASE – Sociaety for the Advancement of Socio-Economics, 2-4 July, London

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1. სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკისა და საწარმოთა სამეწარმეო პოლიტიკის შესაბამისობის პრობლემა, უწინარეს ყოვლისა, სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისა და თვითგანვითარების სტრატეგიების თავსებადობის წინააღმდეგობაში ვლინდება.

სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განვითარების მიზნით გატარებულ სხვადასხვა სახეობის პოლიტიკათა (საფინანსო, ფულადი, სოციალური და ა. შ.) შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკას ენიჭება. მისი მიზანია განსაზღვროს ჩარჩო პირობები, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო

ეკონომიკური აქტივობისათვის და მიაღწიოს შესაბამისობას საზოგადოებრივ ღირებულებათა სისტემასა და ეკონომიკური წესრიგის ჩარჩო პირობების ფორმირებას შორის.

ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა, თავის მხრივ, შინაგან წინააღმდეგობას გულისხმობს, რომელიც არსებობს სოციალურ და კონკურენციულ წესრიგს შორის. კონკურენციული წესრიგი ორიენტირებულია წარმატების პრინციპზე, სოციალური წესრიგი კი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების კრიტერიუმებზე, რომლებიც ნაწილობრივ მაინც წარმატების პრინციპს ეწინააღმდეგება [1, 50-51]. ასე, რომ ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკაში, ერთის მხრივ, სახელმწიფო ცდილობს სოციალური წესრიგის ფორმირებას და მისი საზღვრების გაფართოებას, ხოლო მეორეს მხრივ, ბაზარი მოწოდებულია დაამკვიდროს ფუნქციონირებისუნარიანი კონკურენციული წესრიგი და უზრუნველყოს მისი განხორციელება. სწორედ სახელმწიფო (სოციალური წესრიგი) და კერძო ეკონომიკური (კონკურენციული წესრიგი) აქტივობისათვის შესაბამისი სივრცეების დადგენა და მათ შორის რაციონალური საზღვრის „დაწესება", მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის აზრით, წარმოადგენს გადამწყვეტი მნიშვნელობის ფენომენს. იმ ქვეყნებში, სადაც აღნიშნული სივრცეები და საზღვარი სწორადაა „დადგენილი", მეწარმეობის სუბიექტები (მცირე, საშუალო და დიდი საწარმოები) დიდ წარმატებებს აღწევენ ქვეყნის შიდა, ევროპის და მსოფლიო ბაზრის შესაბამისი სეგმენტების „დაპყრობით" და ლიდერი საწარმოს პოზიციის ხანგრძლივად შენარჩუნებით.

რაც შეეხება სამეწარმეო საქმიანობის თვითგანვითარების სტრატეგიას, იგი უწინარეს ყოვლისა გულისხმობს:

- ბაზრის განსაზღვრას;
- მომხმარებლებთან ურთიერთობას;
- განუწყვეტელ ინოვაციას;
- კონკურენციის სტრატეგიას;
- პარტნიორებთან დამოკიდებულებას;
- მენეჯმენტის ახალ ფილოსოფიას და ა. შ.

როგორც სამეწარმეო საქმიანობის განვითარების სტრატეგია, ასევე მისი თვითგანვითარების სტრატეგიაც შინაგანი წინააღმდეგობით ხასიათდება. ესაა მეწარმეობის სტრატეგიასა და მეწარმეობის კულტურას შორის შესაბამისობის პრობლემა.

მეწარმეობის სტრატეგიასა და მეწარმეობის კულტურას შორის შესაბამისობის ანალიზი ამოსავალი წერტილი უნდა იყოს ყოველგვარი ინტერნაციონალიზაციისა, რათა თავიდან ავიცილოთ შოკები კულტურის თვალსაზრისით და ეკონომიკური ჩამორჩენა. სტაბილიზაციის პროცესი მხოლოდ მაშინ მიიღწევა, თუ თანამშრომელთა მოქმედება არსებულ კულტურას ასახავს, ხოლო კულტურის ახალი შინაარსი (მიზნად დასახული კულტურა) პერსონალის იმპლიციტურ ცნობიერებადაა ქცეული. მომავალმა ლიდერებმა უნდა ისწავლონ, თუ როგორ მართონ განსხვავებული კულტურები.

მეწარმეობის წარმატებით მართვა შესაძლებელია თუ მისი სტრატეგია და კულტურა ერთმანეთს ესადაგება. მაგრამ არც თუ იშვიათად საწარმოები (ორგანიზაციები) გვიჩვენებენ ადამიანთა როგორც პიროვნული, ასევე ჯგუფური მოქმედების დარღვევის სხვადასხვა ფორმებს. თუ პიროვნული და ჯგუფური დარღვევები კულტურაზე ზემოქმედების ფორმად მოგვევლინება, მაშინ ეს გამოიწვევს სისტემისა და სტრუქტურის გლობალურ დარღვევებს. სწორედ მეწარმეობის კულტურის პათოლოგია აძნელებს შესაბამისობის მიღწევას მეწარმეობის სტრატეგიასა და მეწარმეობის კულტურას შორის.

ამრიგად, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკისა და საწარმოთა სამეწარმეო

პოლიტიკის შესაბამისობის მიღწევას ართულებს სამეწარმეო საქმიანობის, როგორც განვითარების სტრატეგიის, ასევე თვითგანვითარების სტრატეგიის შინაგანი წინააღმდეგობანი: ერთი მხრივ, ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის ფარგლებში არსებული წინააღმდეგობა სოციალურ და კონკურენციულ წესრიგს შორის, ხოლო მეორე მხრივ, სამეწარმეო პოლიტიკის ფარგლებში არსებული წინააღმდეგობა მეწარმეობის სტრატეგიასა და მეწარმეობის კულტურას შორის.

2. ახალი პოლიტიკური ეკონომიის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ინტერესთა ჯგუფების წარმოშობისა და მათი ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე გავლენის გაანალიზება და შეფასება.

ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლები ინტერესთა ჯგუფებთან შეთანხმებას იმ შემთხვევაში ცდილობენ, როდესაც ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებს ეკონომიკურ ინტერესთა კონფლიქტები საფრთხეს უქმნის. ზოგჯერ სახელმწიფოს მხრიდან საჭიროა კონიუნქტურის მიზნობრივი სტიმულირება, ხოლო შრომის ბაზრის მხარეთა მიერ - დათმობა სტაბილიზაციის პოლიტიკის სასარგებლოდ. კანონები ეკონომიკური სტაბილურობისა და ზრდის შესახებ განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებისა და ინტერესთა ჯგუფების ერთდროულ და ურთიერთშეთანხმებულ მოქმედებას უწყობს ხელს.

ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლების მიერ მიღწეული შედეგები არადამაკმაყოფილებელი იქნება ინტერესთა ჯგუფების მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ინტერესთა ჯგუფები ეკონომიკური პოლიტიკის გატარების სფეროში ძალაუფლებას ფლობენ და ნებსით თუ უნებლიედ ზეგავლენას ახდენენ სახელმწიფო პოლიტიკაზე. ამით კი იზღუდება ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლის ავტონომია. იმის გათვალისწინებით, რომ დაუშვებელია ინტერესთა ჯგუფების ძალაუფლების შეზღუდვა, ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლები, ერთი მხრივ, ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების განხორციელებას ცდილობენ იმ პირობებში, როდესაც შესაძლებელია ინტერესთა ჯგუფებმა მათზე ზეგავლენა მოახდინონ. ამასთანავე აცნობიერებენ იმას, თუ რამდენად არიან ინტერესთა ჯგუფები პასუხისმგებელნი იმ ზიანზე, რომელიც ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებს ეხება. მეორე მხრივ, ისინი ცდილობენ ინტერესთა ჯგუფებთან შეთანხმებას იმ საფუძველზე, რომ მიზნის ასეთი დაზარალებით თვით ინტერესთა ჯგუფების წარმომადგენლებიც ზარალდებიან.

ფასების სტაბილურობისა და დასაქმების მაღალი დონის მიზნებს შორის კონფლიქტი პირველის გამოხატულებაა, ხოლო მეორე ინსტრუმენტი-შეთანხმება, მისი კორპორაციული ასპექტის გამოა სასურველი, რაც გულისხმობს იმას, რომ ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში ხელი ყველას უნდა მიუწვდებოდეს. თუმცა ეკონომიკური პოლიტიკის კორპორაციული ხასიათის წინააღმდეგ მარტო კონსტიტუციური პრინციპები როდი მეტყველებს, ასეთ ვითარებაში მისი შედეგებიც, მეცნიერთა სოლიდური ნაწილის აზრით, საეჭვო ღირებულებისაა. ისინი თვლიან, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა არის არა სახელმწიფოს ორგანოებთან დაკავშირებული გავლენიანი ჯგუფების კონსორციუმი, არამედ იგი ეხება თითოეულ სუვერენულ მოქალაქეს, რომელიც გადასახადებს იხდის და როგორც ეკონომიკური სუბიექტი, ხარჯებს წევს.

3. სამეწარმეო საქმიანობისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იდეის მოფიქრება და მისი დამუშავებაა, მანამ, სანამ არ ჩამოყალიბდება სრულყოფილი კონცეფცია. შემდეგი საფეხური იმ უკვე არსებული პროფესიონალური კომპონენტების პოვნაა, რომელთა დახმარებითაც შეგიძლიათ თქვენი იდეის ხორცშესხმა. ყოველივე ეს პრობლემის ახალი კუთხით დანახვაა, რაც საშუალებას გვაძლევს, ბიზნესის დაწყების საკითხს სრულიად

სხვაგვარად მივუდგეთ. ჯერ ერთი უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს კარგი კონცეფცია უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კაპიტალი; მეორე – მეწარმეობის სფეროში უფრო რადიკალურად გამოვიყენოთ შრომის დანაწილების პრინციპი; მესამე – დავაფუძნოთ კომპონენტებისაგან შემდგარი კომპანია. შრომის დანაწილება და სოციალიზაცია საშუალებას გვაძლევს, შევქმნათ კომპანია, რომელიც თითქმის მხოლოდ კომპონენტებისგან იქნება ფორმირებული.

ამ გზით დაფუძნებული კომპანიები დასაწყისიდანვე მაღალეფექტიანად ფუნქციონირებენ, მოითხოვენ ბევრად უფრო ნაკლებ კაპიტალს, ამცირებენ რისკს, ნაკლებად მგრძნობიარენი არიან ტიპური კრიზისის მიმართ, რომელიც მოსალოდნელია კომპანიის ზრდასთან ერთად და წარმატებით ახორციელებენ თავიანთ საზოგადოებრივ, კონკურენციულ, სტრუქტურულ და დასაქმების ფუნქციებს, რითაც ხელს უწყობენ საზოგადოებაში არსებული უთანასწორობის შემცირებას.

ბაზრის ყოველი სუბიექტის თავისუფლება, თვითონ გადაწყვიტოს დამოუკიდებელი მეწარმეობა, დიდად არის დამოკიდებული ბაზარზე კონკურენციის ფუნქციონირებისუნარიანობაზე, რადგან თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა ხშირად დეგრადაციის ტენდენციებს (მაგალითად, მონოპოლიის შექმნა) ავლენს. არის თუ არა კონკურენცია ბაზარზე ფუნქციონირებისუნარიანი, ხორციელდება იმ კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც საშუალებას იძლევიან შეჯამდეს კონკურენციის სამი იერარქიულად მოწესრიგებული განზომილება: ბაზრის სტრუქტურა, მიმწოდებლების მოქმედება ბაზარზე და ბაზრის შედეგი.

სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში ცხოვრების პირობების ერთიანობა აქტიური სტრუქტურული პოლიტიკით მიიღწევა. კერძოდ, სექტორულმა სტრუქტურულმა პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს ცალკეულ დარგებში ცვალებადი მოთხოვნებისა და წარმოების პირობების შესაბამისობაში მოყვანას;

რეგიონულმა სტრუქტურულმა პოლიტიკამ ეკონომიკური საქმიანობის გაწონასწორებული განაწილების ფარგლებში უნდა იმოქმედოს, ხოლო საწარმოთა სიდიდეებზე დამყარებულმა სტრუქტურულმა პოლიტიკამ, საწარმოების განსაზღვრული სიდიდეების სტიმულირებით, უნდა დააჩქაროს ცვალებად საბაზრო პირობებთან ადაპტაცია

დასაქმების საერთო ეკონომიკური სიტუაციისათვის მცირე და საშუალო საწარმოების მხრივ, მხედველობაში პირველ რიგში მათი მასტაბილიზებელი ზემოქმედება მიიღება (სამუშაო ადგილების შექმნა). თუ რამდენად ახორციელებს მცირე და საშუალო მეწარმეობა ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზანს ტრანსფორმაციის პროცესში, ანუ ახდენს თუ არა იგი დადებით ზემოქმედებას დასაქმების პოლიტიკაზე, და შესაბამისად, საზოგადოებრივ უთანასწორობაზე, პირველ რიგში მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობით შეიცნობა.

დღეისათვის საზოგადოებაში არსებული უთანასწორობა სულ უფრო მეტად აძლიერებს ტენდენციას ბიზნესმეწარმეობიდან სოციალური მეწარმეობისკენ. შეიძლება ითქვას, რომ ბიზნესმეწარმეები, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, მოძრაობენ სოციალური მეწარმეობის მიმართულებით. ეფექტიანად ფუნქციონირებადი ბაზრები ქმნიან მექანიზმებს, რომლებიც განაპირობებენ კარგ ქცევას. ეს კი ფუნქციონირებადი საზოგადოების უმნიშვნელოვანესი თვისებაა. რაც შეეხება სოციალური მეწარმეობის პერსპექტივებს, მეწარმეობის კონცეფციის გაფართოებამ სოციალურ არენაზე შესაძლოა გამოიწვიოს ის შედეგი, რომ ბიზნესის მიმართ სკეპტიკურად განწყობილი ხალხი გახდეს უფრო ღია (გახსნილი) – მეწარმეობის, როგორც აქტივობის მიმართ. ეს ის გზაა, რომელიც ხელს უწყობს სიმდიდრის სამართლიანი განაწილების დამკვიდრებას სამეწარმეო საქმიანობაში უფრო ფართო მონაწილეობის საშუალებით. დღეს „მეწარმეობა ყველასთვის" ჯერ კიდევ ოცნებაა, მაგრამ ისეთი ოცნება, რომელიც მიღწევადია.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

IV. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის გეგმით გათვალისწინებული 2015 წლის სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი თემაზე: „ძირითადი საზოგადოებრივი ღირებულებები – ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების განმსაზღვრელი”	პროფ. რევაზ გველესიანი	პროფ. რევაზ გველესიანი	გრანტის გარეშე

გარდამავალი კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები

რაციონალური ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება და ინტერესთა კონფლიქტის გადაჭრა ობიექტურად მოითხოვს ჩამოყალიბდეს ეკონომიკურ-პოლიტიკური პრობლემების სტრუქტურა და მოხდეს მისი განხილვა ძირითადი საზოგადოებრივი ღირებულებების კონტექსტში.

ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნები არ სრულდება მათი ოპერაციონალიზების ბევრ შემთხვევაში. არასაკმარისი ოპერაციონალიზების შესაძლებლობა ძევს თვითონ მიზანში ან გაბატონებული კონსენსუსი არ იძლევა მიზნების ნათელი და ცალსახა განსაზღვრის საშუალებას. ასევე არარეალისტური იქნებოდა სრულყოფილი და დროის მიხედვით მეტნაკლებად სტაბილური პრეფერენციული წესრიგის შექმნა მიზნების მიღწევის თვალსაზრისით.

მოქმედების თავისუფლების სუბიექტური საზღვრები უფრო ვიწროა, ვიდრე ბუნების კანონებით მოცემული. ის მხოლოდ ინდივიდში იქმნება და განსაზღვრავს მის შიდა თავისუფლებას, როგორც თვითგანსაზღვრის შანსს (ავტონომია); ხოლო საზოგადოებრივი საზღვრები მოიცავს ურთიერთობას ცალკეულ სუბიექტებს შორის. სწორედ ისინი განსაზღვრავენ ინდივიდების გარე (ადამიანთაშორის) თავისუფლებას და ამით მათ შანსს იმოქმედონ საზოგადოებაში (ჰეტერონომია). თავისუფლების შემზღუდავი ზემოქმედების მოხდენის შესაძლებლობა ადამიანთა ფსიქიკაში, რომლებიც ზეგავლენის ქვეშ იმყოფებიან, იმ ზომისაა, თუ რამდენად არიან ისინი მზად სხვა სუბიექტების განსაზღვრისათვის თვითგანსაზღვრასთან შედარებით.

ამ კონტექსტში ძალაუფლება წარმოგვიდგება, როგორც კონტინუუმი (მთლიანობა): მის ერთ მხარეს მოსალოდნელია საზოგადოებრივ ურთიერთობებში ინდივიდის მოქმედების თავისუფლების შეუზღუდავი თვითგანსაზღვრა (ავტონომია) და სხვისი უძლურება, ხოლო მეორე მხარეს მისი ტოტალური განსაზღვრა სხვის მიერ (ჰეტერონომია) დ სხვისი ძალაუფლების ქვეშ მოქცევა.

გადაწყვეტილების მომზადებისა და მიღების ემპირიულად სრულყოფილი პროცესის დროს, გადაწყვეტილების მიღების წესის დახმარებით, შესაძლებელია იმის წარმოდგენა თუ როგორი იქნება რაციონალური მოქმედება, როცა საქმე გვაქვს გადაწყვეტილებათა გამომწვევ ინდივიდუალური და კოლექტიური ფაქტორების ქმედებებთან.

არსებობს რამდენიმე რაციონალური პრინციპი, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს განუსაზღვრელობის პირობებში მიღებული გადაწყვეტილება. თუმცა შეუძლებელია ასეთი პრინციპებიდან ქცევის საყოველთაო წესი გამოვიყვანოთ. პირიქით, ერთმანეთის საპირისპირო უამრავი წესი არსებობს. მათი დანიშნულება ისაა, რომ გადაწყვეტილების მიმღები იმ მდგომარეობაში ჩააყენოს, სადაც მას შეეძლება შედეგებს შორის არჩევანის გაკეთების თანმიმდევრულობა სათანადო ღირებულებას დაუქვემდებაროს.

რაციონალურობის პრინციპი მოითხოვს, რომ ეკონომიკურდპოლიტიკური გადაწყვეტილებები რაც შეიძლება გლობალურად იყოს ფორმულირებული. მაგრამ, ამავე დროს, ანგარიში უნდა გავუწიოთ გადაწყვეტილების მომზადებასთან დაკავშირებულ სირთულეებს, მით უმეტეს, როდესაც საქმე განუსაზღვრელობასთან გვაქვს. ეკონომიკური პოლიტიკის ყველა მნიშვნელოვანი ცვლადი არ არის იმ ზომამდე ოპერაციონალიზებადი, რომ გადაწყვეტილებათა მომზადება ისეთ დონეზე განხორციელდეს, რომელიც მოქმედების პრობლემის გლობალური შეფასების შესაძლებლობას მოგვცემდა.

შეფასების ფუნქცია გადაწყვეტილების წესთან ერთად განსაზღვრავს იმას, თუ ინსტრუმენტების რომელ ვარიანტს უნდა მიენიჭოს უპირატესობა. ასეთი ფუნქციები და წესები, უპირველეს ყოვლისა, გადაწყვეტილების მიღების პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობაზეა ორიენტირებული. ისინი გადაწყვეტილების მომზადების პრაქტიკული სიტუაციებისაგან განსხვავებით, გადაწყვეტილების ერთადერთ მიმღებს ითვალისწინებენ.

*სხვა მნიშვნელოვანი აქტივობები

I. ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა და მასთან არსებული **ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტი პროფესორ რევაზ გველესიანის** ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით წარმატებით ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო საქმიანობას:

- ბერლინის ტექნიკურ უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი ვოლფგანგ ვენგი);
- ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი გიუნტერ ფალტინი);
- ცუკუბას (იაპონია) უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი ნეანტრო საავედრა-რივანო);

- პოტსდამის უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი ანგელა მიკლეი);
- მეცნიერებისა და პოლიტიკის ფონდის საერთაშორისო პოლიტიკისა და უსაფრთხოების გერმანულ ინსტიტუტთან (წარმომადგენელი პროფესორი უვე ჰალბახი).

აღნიშნული თანამშრომლობის პროგრამა მოიცავს: **ა)**ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელებას; **ბ)**საერთაშორისო ეკონომიკურ-პოლიტიკური ფორუმების ორგანიზებას; **გ)**ერთობლივი სამაგისტრო პროგრამების მომზადებას; **დ)**ეკონომიკური პოლიტიკის მოდულის მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის პარტნიორი უნივერსიტეტების პროფესორების მოწვევას და მათ მიერ ლექციების ინტენსიური კურსის წაკითხვას; **ე)**ეკონომიკური პოლიტიკის მოდულის მაგისტრანტების გერმანიაში პროფესიულ პრაქტიკაზე მივლინებას; **ვ)**დოქტორანტების ერთობლივ სამეცნიერო ხელმძღვანელობას და მათი სადისერტაციო ნაშრომების ერთობლივ რეცენზირებას.

II. ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის და ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტის ინიციატივით ქართულ ენაზე ითარგმნა ცნობილი გერმანელი მეცნიერისა და მეწარმის გიუნტერ ფალტინის წიგნი „გონება ამარცხებს კაპიტალს", რომლის სამეცნიერო რედაქტირება და პრეზენტაცია (2015 წლის 30 ივნისი) უზრუნველყო პროფ. რევაზ გველესიანმა და ასოც. პროფ. ეკა ლეკაშვილმა.

III. პროფ. რევაზ გველესიანის ხელმძღვანელობით 2015 წელს სადისერტაციო ნაშრომი დაიცვა 2 დოქტორანტმა – გ. გაფრიდნაშვილმა და ნ. რუხაიამ. ამჟამად პროფ. რ. გველესიანი სამეცნიერო ხელმძღვანელობას უწევს 11 დოქტორანტს (გ. ყუფარაძეს, გ. დანელიას, უ. გოგიშვილს, შ. მინაშვილს, გ. ბრეგაძეს, ტ. ლომიას, გ. ბრეგაძეს, ლ. ნატროშვილს, მ. ხოხობაია, ს. ჩიტაძე, ნ. სუმბაძე).

ასოცირებული პროფესორი ირინა გოგორიშვილი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	1. Prospects to improve the tourist market operation in Georgia. STRATEGICA International Conference ,,Local versus Global, Bucharest, October 29-31, 2015. www.strategica-conference.ro 2. ბიზნეს პროცესთა ინჟინერინგის სტრუქტურის ISO260000-ის რეკომენდაციებთან		მარინა მეტრეველი, ირინა გოგორიშვილი

	ადაპტაციის მიმართულებები. მესამე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია IEC-2015, ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ. 16 ოქტომბერი 2015, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.		
	3. საქართველოს ტურიზმის პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებები. მესამე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია IEC-2015, ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ. 16 ოქტომბერი 2015, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.		ირინა გოგორიშვილი მარინა მეტრეველი, ირინა გოგორიშვილი.
	4. მდგრადი მოხმარება როგორც ქრისტიანული ფასეულობა და მისი დამკვიდრების აუცილებლობა საქართველოში. ქრისტიანობა და ეკონომიკა.VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. 5-6 სექტემბერი, ბათუმი, 2015. გვ., 36-40. ISSN 2346-7932.		ირინა გოგორიშვილი
	5. Expansion of Social Responsibility in the Business Process Engineering. Business Systems Laboratory 3RD International Symposium.		ირინა გოგორიშვილი

	Advances in Business Management. Towards Systemic Approach. January 21-23, 2015. University For Foreigners of Perugia. ISBN: 9788890824227, http://bslab-symposium.net/. გვ. 350-354.		

დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

ნაშრომში განხილულია ტურისტული ბაზრის პრობლემები საქართველოში. ჩატარებული კვლევის შედეგად მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციისა და საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის სამსახურის მასალების საფუძველზე გამოვლენილია ტურისტული ბაზრის მაჩვენებელთა ცდომილებები და მათი გამოყენებით შემუშავებული პროგნოზების ხარვეზები.

ნაშრომში მოცემულია ბიზნეს ინჟინერინგის სტრუქტურის ორიგინალური მოდელი და ISO260000-ის რეკომენდაციათა ანალიზის საფუძველზე შემოთავაზებულია მოდელის შემადგენელ კომპონენტებთან მათი ადაპტირების მიმართულებები.

საქართველოს ტურიზმის განვითარების პოლიტიკის სტრატეგიულ მიმართულებათა ანალიზი საფუძველზე გამოვლენილია ტურიზმის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ხარვეზები. მათ შორის განსაკუთრებულად არადამაკმაყოფილებელია მდგომარეობა, რომელიც დაკავშირებულია ტურისტული ინდუსტრიისა მიზნებისა და ტურპროდუქტების წარმოების შეუსაბამობასთან. განსაკუთრებულად მძიმე მდგომარეობაა გამოვლენილი საკანონმდებლო ბაზის სიმწირესთან დაკავშირებით. შემოთავაზებულია ტურიზმის პოლიტიკის სტრატეგიულ მიმართულებათა კორექტირებისა და დახვეწის გზები.

ნაშრომში განხილულია ადამიანის კეთილდღეობის ფასეულობა და მისი მნიშვნელობა სოციალური განვითარებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. მდგრადი მოხმარების შინაარსის დაზუსტებასთან კავშირში გაანალიზებულია მოხმარების ბუნებრივი და ეთიკურ-ესთეთიკური საზღვრები. ბიბლიის ტექსტების განხილვის საფუძველზე დადგენილია მოხმარების ზრდის სურვილით მოტივირებული საზოგადოების პრაგმატული მიზნების არარაციონალური ხასიათი.

ნაშრომში დახასიათებულია სოციალური პასუხისმგებლობის საკითხთა გადაჭრისა და აქცენტირების აუცილებლობა ბიზნეს პროცესთა ინჟინერინგის სტრუქტურის შემადგენლებში. განხილული და გაანალიზებულია ცნობილი უცხოელი ეკონომისტების კარდინალურად განსხვავებული მოსაზრებები ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით.

* პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**შ.გოგიაშვილი,** ს.ფეტელავა	არაკეთილსინდისიერი კონკურენცია	თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომების კრებული	თბ., 2015	8გვ.
2	**შ.გოგიაშვილი**	კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა და მისი შედეგები საქართველოში	აკად. პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის “ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები” მასალები	თბ., 2015	8გვ.

ანოტაციები

1. არაკეთილსინდისიერი კონკურენცია – ესაა სპეციფიური სამართლებრივი ინსტიტუტი. იგი არ უკავშირდება საბაზრო ძალაუფლების არაჯეროვნად (ბოროტად) გამოყენებას და ძირითადად ახასიათებს კონკურენტების ქცევას ეთიკური ნორმების თვალსაზრისით.

ეკონომიკურ კონკურენციაში “არბიტრის” ფუნქციას, როგორც წესი მომხმარებელი ასრულებს თავისი არჩევანით. მაგრამ სიტუაციის გართულების გამო იგი ხშირად ჯეროვნად ვერ ახერხებს როლის შესრულებას და თავადვე რჩება მოტყუებული, რამდენადაც ყოველთვის არ შეუძლია დამოუკიდებლად ამოიცნოს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვა ესაჭიროება როგორც მომხმარებელს, ისე პატიოსან კონკურენტს, რომელიც ემორჩილება კანონმდებლობით დადგენილ "თამაშის წესებს". ამასთან, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის თავიდან აცილება და აღკვეთა ემსახურება არა მარტო კონკრეტული მომხმარებლისა და მეწარმის ინტერესებს, არამედ საერთოდ მთელი საზოგადოების ინტერესებს და საზოგადოდ პროგრესის სტიმულირებას.

2. ნაშრომში წარმოდგენილია კონკურენციის პოლიტიკისა და კონკურენციული კანონმდებლობის ჩამოყალიბებისა და განვითარების ძირითადი ეტაპები საქართველოში; კრიტიკული ანალიზისა და ევროკავშირის შესაბამის ნორმებთან შედარების საფუძველზე განხორციელებულია განვლილი პერიოდის შეფასება და მოცემულია წინადადებები კონკურენციის სფეროს სრულყოფის მიმართულებით.

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	G.Bedianashvili, **Sh.Gogiashvili** S. Pavliashvili	European Union, Georgia and Institucional Environment of Competition International	Collection of scientific proceedings «European Cooperation»	Vol 5, No 5. 2015. Warshava, 9-23	15p.
2	**Sh.Gogiashvili**	Regarding the assessment of the outcomes of development and implementation of competition economic policy in Georgia	Міністерство освіти і науки України, Київський національний університет імені Тараса Шевченка, Збірник наукових праць "Теоретичні та прикладні питання економіки". E-gospodarka w Europie Srodkowej I Wschodniej,	Київ, 2015. – № 1(30), 87-94	8p.

3	**Sh.Gogiashvili**	Economic Policy of Competition in Georgia: Retrospective and Perspektive	Terazniezosc I perspektywy rozwoju. Pod redakcja Romana Sobieckiego.	Wydawnictwo KUL. lublin.2015, 136-142.	6p.
4	**Sh.Gogiashvili**	Competition and competitive trade	Конкурентоспроможність національної економіки: Матеріали XV Міжнародної науково - практичної конференції, 26-27 березня, 2015 р.	Київський національний університет імені Тараса Шевченка, Київ.2015, 12-17.	6p.

ანოტაციები

1.სტატიაში განხილულია საქართველოში კონკურენციის მდგომარეობის თეორიული და პრაქტიკული საკითხები. გაანალიზებულია ამ სფეროში საქართველოში არსებული პრობლემები, ასევე კონკურენციული მექანიზმისა და კონკურენციის პოლიტიკის თანდათანობითი სრულყოფის დინამიკა. ამომდინარე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და უშუალოდ საქართველოში ბოლო წლებში დაგროვილი გამოცდილებიდან, განხილულია კონკურენციის მექანიზმების სრულყოფის მიმართულებები. ამასთან, გამახვილებულია ყურადღება როგორც საქართველოს შიგა კონკურენციის ცალკეული მექანიზმების სრულყოფაზე, ასევე კონკურენციის ინსტიტუციური გარემოს სისტემურობის უზრუნველყოფაზე. კვლევების შედეგად გაკეთებულია დასკვნა, რომ კონკურენციის ხელშეწყობის პრობლემატიკის განხილვისას ამა თუ იმ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ცალკეული სფეროს განვითარების დონის იდენტიფიცირებისას, შეიძლება გამოყენებულ იქნას გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი.

საზოგადოების ინსტიტუციური სტრუქტურის, როგორც კონკურენციის ინსტიტუციური გარემოს, ასევე მთლიანად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მდგრადობის უზრუნველმყოფი მთავარი ფაქტორის იდენტიფიცირება და მონიტორინგი შეიძლება განხორციელდეს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით. ასული 2014 წლის მონაცემების თანახმად, საქართველო მიეკუთვნება ძირითადად თავისუფალი ქვეყნების ჯგუფს, რეიტინგით 22-ე ადგილზე მსოფლიოში, ხოლო ევროპის 43 ქვეყანას შორის მას ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით უკავია მე-12 ადგილი. ბოლო წლების პოზიტიური გარდაქმნების მიმართებით შეიძლება გამოიყოს საქართველოში უფრო მიმზიდველი ბიზნესგარემოს შექმნა, ანტიკორუფციული

ღონისძიებები, მიმართული ძალოვანი და სასამართლო სისტემების, ასევე ფისკალური და საჯარო მომსახურების სექტორის გარდაქმნისაკენ, რამაც გამოიწვია ფისკალური ადმინისტრირების შესამჩნევი გაუმჯობესება და ქვეყნის ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირება, ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის განხორციელება, შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმების ჩამოყალიბება. თუმცა არის გარკვეული ჩამორჩენები, მათ შორის ბაზრის გახსნილობის(ინვესტიციური თავისუფლების და ფინანსური თავისუფლების) დონით და მართლწესრიგის ინსტიტუტის (საკუთრების უფლებათა დაცვის და კორუფციისაგან თავისუფლების) განვითარებით. მ მიმართებით გარკვეულ ღონისძიებათა კომპლექსის რეალიზაცია უკვე გათვალისწინებულია როგორც საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგის ფარგლებში, ასევე საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში(საქართველო 2020).

2.სტატიაში წარმოდგენილია კონკურენციის პოლიტიკისა და კონკურენციული კანონმდებლობის ჩამოყალიბებისა და განვითარების ძირითადი ეტაპები საქართველოში; კრიტიკული ანალიზისა და ევროკავშირის შესაბამის ნორმებთან შედარების საფუძველზე განხორციელებულია განვლილი პერიოდის შეფასება და მოცემულია წინადადებები კონკურენციის სფეროს სრულყოფის მიმართულებით.

3.ეკონომიკური პოლიტიკის რაციონალურობასა და დასაბუთებულობაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური განვითარება როგორც გრძელვადიან, ისე მოკლევადიან პერსპექტივაში. ეს გარემოება ბევრად ზრდის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა მეცნიერული ანალიზისა და მრავალვარიანტული საპროგნოზო პარამეტრების საიმედოობის "ფასს." ვინაიდან საბაზრო ეკონომიკის საფუძველს მოთხოვნა-მიწოდების ფასწარმომქნელ მექანიზმთან ერთად შეადგენს კონკურენცია ეკონომიკურ აგენტებს შორის, რაც უფრო მეტად იძენს საქართველოს ეკონომიკა საბაზრო ნიშნებს, მით უფრო იზრდება ინტერესი კონკურენციის პოლიტიკისა და საკონკურენციო მექანიზმისადმი.

საზოგადოდ ეკონომიკურ პოლიტიკას გააჩნია შინაგანი წინააღმდეგობრივობა სოციალურ მიმართულებასა და კონკურენციულ მექანიზმთან მიმართებაში; სოციალური პოლიტიკის მიზნებსა და კონკურენციის ინტერესებს შორის ბალანსის მოძებნა დიდი ხანია წარმოადგენს დისკუსიის საგანს. თუ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებმა ემპირიული გზით უკვე იპოვეს მისაღები ვარიანტები როგორც სოციალური პოლიტიკისათვის, ისე კონკურენციისათვის, საქართველო ამ მიმართულებით მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამს, რომლებიც ხანდახან არასწორი და არამყარია.

მართალია, საბაზრო ეკონომიკის პირობებში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნების მიღწევის ძირითად, განმსაზღვრელ ინსტრუმენტს წარმოადგენს კონკურენციული პოლიტიკა და შესაბამისი კონკურენციული გარემო, მაგრამ ღარიბი, განვითარებადი ქვეყნებისთვის დამახასიათებელი უმუშევრობის მაღალი დონე, ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაცია და ასეულ ათასზე მეტი ოჯახის თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან აყრა და დევნილობაში ყოფნა შესაბამისი თანმდევი შედეგებით, ასევე მოსახლეობის დიდი ნაწილის "დაბერება" და სრულიად "არანორმალური" თანაფარდობა საპენსიო ასაკის მოსახლეობასა და გადასახადის გადამხდელ დასაქმებულებს შორის, აიძულებს საქართველოს ხელისუფლებას სოციალური მიმართულებით ხარჯების გაზრდას (თუმცა აბსოლუტურ განზომილებაში ეს სახსრები მაინც არაადექვატურია სატრანსფერო დაფინანსების საჭირო მოცულობასთან მიმართებით). შედეგად, ხდება კონკურენციული უპირატესობის მქონე კომპანიებისა და ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის შემოსავლების გარკვეული ნიველირება, რაც აფერხებს ეკონომიკის სწრაფ განვითარებას.

კონკურენციული პოლიტიკის თანამედროვე მდგომარეობისა და მისი სრულყოფის

ძირითადი მიმართულებების წარმოსაჩენად ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს საკონკურენციო კანონმდებლობის ფორმირებისა და პრაქტიკული რეალიზაციის ძირითადი ეტაპები; წარმოდგენილია განვითარების პერსპექტივა შესაბამის ევროკანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის თვალსაზრისით.

4.კონკურენციის დაცვა სახელმწიფო შესყიდვებისას შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. პრაქტიკულად, ყველა ქვეყანაში გამოვლენილია გაყალბებული განაცხადები, რომელთა მეშვეობითაც ცალკეული კომპანიების მხრიდან არის მცდელობა კონკურენციული უპირატესობის გარეშე მიაღწიონ წარმატებას (კონკურსში გამარჯვებას) და კონკურენციულზე უფრო მაღალი ფასების შეთავაზების პირობებში მიიღონ მონოპოლიურად მაღალი მოგება.

საყოველთაოდაა აღიარებული, რომ საკონკურსო ვაჭრობები სახელმწიფო შესყიდვების განაწილების დროს, საზოგადოების ინტერესების დაცვის მნიშვნელოვან მეთოდს წარმოადგენს. ამასთან, რადგან საკონკურსო ვაჭრობების პროცესში შეიძლება დაირღვეს (ან ადგილი ჰქონდეს მცდელობას) ჯანსაღი კონკურენციის პრინციპი აუცილებელია სპეციალური პრევენციული დამცავი ზომების შემუშავება და პრაქტიკული გამოყენება.

* სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**შ. გოგიაშვილი**	კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა და მისი შედეგები საქართველოში	10-11 ივლისი, 2015წ. თბ,. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი
ანოტაცია ნაშრომში წარმოდგენილია კონკურენციის პოლიტიკისა და კონკურენციული კანონმდებლობის ჩამოყალიბებისა და განვითარების ძირითადი ეტაპები საქართველოში; კრიტიკული ანალიზისა და ევროკავშირის შესაბამის ნორმებთან შედარების საფუძველზე განხორციელებულია განვლილი პერიოდის შეფასება და მოცემულია წინადადებები კონკურენციის სფეროს სრულყოფის მიმართულებით.			

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**Sh.Gogiashvili**	Economic Policy of Competition in Georgia: Retrospective and Perspektive	25-27.05.2015. Katolicki University Lubelski Jana Pawla II. – Naleczow, Poland

2	**Sh.Gogiashvili**	Competition and competitive trade	25-27.03. 2015. Київський національний університет імені Тараса Шевченка, Київ.2015

ანოტაციები

1.ეკონომიკური პოლიტიკის რაციონალურობასა და დასაბუთებულობაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური განვითარება როგორც გრძელვადიან, ისე მოკლევადიან პერსპექტივაში. ეს გარემოება ბევრად ზრდის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა მეცნიერული ანალიზისა და მრავალვარიანტული საპროგნოზო პარამეტრების საიმედოობის "ფასს." ვინაიდან საბაზრო ეკონომიკის საფუძველს მოთხოვნა-მიწოდების ფასწარმომქნელ მექანიზმთან ერთად შეადგენს კონკურენცია ეკონომიკურ აგენტებს შორის, რაც უფრო მეტად იძენს საქართველოს ეკონომიკა საბაზრო ნიშნებს, მით უფრო იზრდება ინტერესი კონკურენციის პოლიტიკისა და საკონკურენციო მექანიზმისადმი.

საზოგადოდ ეკონომიკურ პოლიტიკას გააჩნია შინაგანი წინააღმდეგობრივობა სოციალურ მიმართულებასა და კონკურენციულ მექანიზმთან მიმართებაში; სოციალური პოლიტიკის მიზნებსა და კონკურენციის ინტერესებს შორის ბალანსის მოძებნა დიდი ხანია წარმოადგენს დისკუსიის საგანს. თუ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებმა ემპირიული
გზით უკვე იპოვეს მისაღები ვარიანტები როგორც სოციალური პოლიტიკისათვის, ისე კონკურენციისათვის, საქართველო ამ მიმართულებით მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამს, რომლებიც ხანდახან არასწორი და არამყარია.

მართალია, საბაზრო ეკონომიკის პირობებში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნების მიღწევის ძირითად, განმსაზღვრელ ინსტრუმენტს წარმოადგენს კონკურენციული პოლიტიკა და შესაბამისი კონკურენციული გარემო, მაგრამ ღარიბი, განვითარებადი ქვეყნებისთვის დამახასიათებელი უმუშევრობის მაღალი დონე, ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაცია და ასეულ ათასზე მეტი ოჯახის თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან აყრა და დევნილობაში ყოფნა შესაბამისი თანმდევი შედეგებით, ასევე მოსახლეობის დიდი ნაწილის "დაბერება" და სრულიად "არანორმალური" თანაფარდობა საპენსიო ასაკის მოსახლეობასა და გადასახადის გადამხდელ დასაქმებულებს შორის, აიძულებს საქართველოს ხელისუფლებას სოციალური მიმართულებით ხარჯების გაზრდას (თუმცა აბსოლუტურ განზომილებაში ეს სახსრები მაინც არაადექვატურია სატრანსფერო დაფინანსების საჭირო მოცულობასთან მიმართებით). შედეგად, ხდება კონკურენციული უპირატესობის მქონე კომპანიებისა და ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის შემოსავლების გარკვეული ნიველირება, რაც აფერხებს ეკონომიკის სწრაფ განვითარებას.

კონკურენციული პოლიტიკის თანამედროვე მდგომარეობისა და მისი სრულყოფის ძირითადი მიმართულებების წარმოსაჩენად ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს საკონკურენციო კანონმდებლობის ფორმირებისა და პრაქტიკული რეალიზაციის ძირითადი ეტაპები; წარმოდგენილია განვითარების პერსპექტივა შესაბამის ევროკანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის თვალსაზრისით.

2. კონკურენციის დაცვა სახელმწიფო შესყიდვებისას შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. პრაქტიკულად, ყველა ქვეყანაში გამოვლენილია გაყალბებული განაცხადები, რომელთა მეშვეობითაც ცალკეული კომპანიების მხრიდან არის მცდელობა კონკურენციული უპირატესობის გარეშე მიაღწიონ წარმატებას (კონკურსში

გამარჯვებას) და კონკურენციულზე უფრო მაღალი ფასების შეთავაზების პირობებში მიიღონ მონოპოლიურად მაღალი მოგება.

საყოველთაოდაა აღიარებული, რომ საკონკურსო ვაჭრობები სახელმწიფო შესყიდვების განაწილების დროს, საზოგადოების ინტერესების დაცვის მნიშვნელოვან მეთოდს წარმოადგენს. ამასთან, რადგან საკონკურსო ვაჭრობების პროცესში შეიძლება დაირღვეს (ან ადგილი ჰქონდეს მცდელობას) ჯანსაღი კონკურენციის პრინციპი აუცილებელია სპეციალური პრევენციული დამცავი ზომების შემუშავება და პრაქტიკული გამოყენება.

ასოცირებული პროფესორი გულნაზ ერქომაიშვილი

სახელმწიფო გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებელი
1	სკოლის მოსწავლეთა XI კლასის სახელმძღვანელო „მეწარმეობის საფუძვლების“ შემფასებელი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	**მარიამ ჩიქობავა** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების სამმართველოს უფროსი	თსუ ასოცირებული პროფესორი **გულნაზ ერქომაიშვილი**

დასრულებული პროექტის შედეგები

ანოტაცია

სასწავლო კურსის „მეწარმეობის საფუძვლების“ გავლის შედეგად:

– მოსწავლე შეძლებს რაციონალური გადაწყვეტილების მიღებას და ამ გადაწყვეტილების საქმედ ქცევას;

-გამოუმუშავდება ანალიზისა და სინთეზის, შეფასების, დებატებში მონაწილეობის უნარი;

-განუვითარდება კომპიუტერული პროგრამების გამოყენების, ინტერნეტ-რესურსების ძიებისა და დამუშავების, თანამედროვე ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების ზოგადი უნარი;

– განუვითარდება დამოუკიდებელი და გუნდური მუშაობის უნარი;

–მოსწავლე შეძლებს თავისი იდეების, მეწარმეობის სფეროში არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების წერილობითი ანგარიშის მომზადებას.

* პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1	გ.ერქომაიშვილი	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და საინვესტიციო პოლიტიკა საქართველოში	აკად. პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“ (10-11 ივლისი, 2015).	თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი	7 გვ.
2	გ.ერქომაიშვილი	აგრარული სექტორის განვითარების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში	ჟ. ეკონომიკა და ბიზნესი, №1, 2015.	თსუ, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი	9 გვ.

1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და საინვესტიციო პოლიტიკა საქართველოში

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და საინვესტიციო პოლიტიკა საქართველოში, ის ინსტრუმენტები და რეგულაციები, რომელიც ხელს შეუწყობს მის განვითარებას. შესწავლილი და გაანალიზებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არსებული მდგომარეობა, მის ზრდასა და შემცირებაზე მოქმედი ფაქტორები, სახელმწიფო მხარდაჭერის პრიორიტეტული მიმართულებები.

ნაჩვენებია, რომ საქართველოს დღეს ჰაერივით სჭირდება ინვესტიციების მოზიდვა, რაც განაპირობებს ისეთი პრობლემების გადაჭრას, როგორიცაა დასაქმება და შემოსავლების ზრდა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, საექსპორტო პოტენციალისა და ქვეყანაში სავალუტო შემოსავლების ზრდა, საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ქვეყნის ინტეგრაცია და სხვ. დღესდღეობით, საქართველოში არ არის ბევრი მსხვილი კორპორაცია და კომპანია, რომელთა შემოსავლებითაც შესაძლებელი იქნება ეკონომიკაში რეინვესტირება. ამიტომ უცხოურ კაპიტალზე საქართველოს დამოკიდებულება მეტად დიდია.

კვლევის შედეგად წარმოდგენილია საქართველოში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების სტრატეგია, შესაბამისი დასკვნები, რომელთა საფუძველზე მოცემულია რეკომენდაციები.

2.აგრარული სექტორის განვითარების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში

ანოტაცია

ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის აგრარული სექტორის განვითარება სიღარიბის დაძლევის და ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთი გზაა. აგრარული პოლიტიკის უმთავრეს მიზანს მოსახლეობის სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მომარაგება და ჯანსაღი კვების უზრუნველყოფა წარმოადგენს. საქართველოს აგრარულ სექტორს, სახელმწიფოს სწორი პოლიტიკითა და ხელშეწყობით, შეუძლია წარმატებებს მიაღწიოს და გავიდეს მსოფლიო ბაზარზე. საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობები ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების შესაძლებლობას იძლევა. მსოფლიო ბაზარზე ასეთ პროდუქტებზე მოთხოვნა დღითი-დღე იზრდება. ქართულმა პროდუქციამ პოპულარობა რაოდენობრივად და ხარისხობრივად ჯერ ადგილობრივ ბაზარზე, მერე კი უცხოეთში უნდა მოიპოვოს. ამისათვის აუცილებელია სწორი პოლიტიკის გატარება, სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის შემუშავება, რაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთიანი გეგმის ორგანული ნაწილი უნდა იყოს.

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**G.Erkomaishvili**	Consumer Market for Mineral Water and Development Policy in Georgia.	Iinternational Conference on Economics ანდ Business ანაგემენტ. World Academy of Science, Engineering and Technology.	Rome, Italy, 5-6 may, 2015. www. waset.org	8 p.
2	**G. Erkomaishvili**	Consumer Market for Mineral Water and Development Policy in Georgia **(Dublicat)**	International Science Index 101, International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic, Business and Industrial Engineering, (2015), 9(5), p.1327 - 1330. ,	World Academy of Science, Engineering and Technology, 2015	8p.

3	E. Kharaishvili, **G.Erkomaishvili,** M. Chavleishvili	Problems Faced by the Agricultural Sector and Agribusiness Development Strategy in Georgia	International Scholarly and Scientific Research & Innovation International Science Index 107 . Vol: 9. No:11, 2015. p. 422-426.	World Academy of Science, Engineering and Technology, 2015	9p.
4	E. Kharaishvili, **G.Erkomaishvili,** M. Chavleishvili	Agribusiness Development Strategy in Georgia	. International Conference on Economics, Marketing Management. World Academy of Scienxe, Engineering and Technology.	Madrid, Spain, 12-13 november, 2015. www. waset.org	9p.

1-2. მინერალური წყლების სამომხმარებლო ბაზარი და განვითარების სტრატეგია საქართველოში

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია მინერალური წყლების სამომხმარებლო ბაზარი და განვითარების პოლიტიკა საქართველოში, ის ინსტრუმენტები და საშუალებები, რომელიც ხელს შეუწყობს მინერალური წყლების წარმოების და ექსპორტის ზრდას.

შესწავლილი და გაანალიზებულია მინერალური წყლების წარმოების სფეროში არსებული მდგომარეობა, აღნიშნული პროდუქციის ექსპორტის ზრდაზე და შემცირებაზე მოქმედი ფაქტორები. აღნიშნულია, რომ კონკურენტული უპირატესობის მოპოვებისა და შენარჩუნებისათვის აუცილებელია თანამედროვე დიზაინით გაფორმებული მაღალი ხარისხის პროდუქციის უწყვეტი მიწოდება, ახალი ბაზრების ათვისებისათვის სადისტრიბუციო ქსელების გახსნა, სარეკლამო საქმიანობის ფართოდ გაშლა, ელექტრონული ვაჭრობის ორგანიზაცია. ფალსიფიცირებული პროდუქციისაგან ბაზრების დასაცავად აქტიური როლი სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას ეკუთვნის. ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში. სტაბილური ბიზნეს გარემო და ექსპორტზე ორიენტირებული სტრატეგია არის ქვეყნის ეკონომიკური ზრდის საფუძველი.

კვლევის შედეგად წარმოდგენილია საქართველოში მინერალური წყლების კონკურენტუნარიანობის ზრდის სტრატეგია, შესაბამისი დასკვნები, რომელთა საფუძველზე მოცემულია რეკომენდაციები.

სოფლის მეურნეობის სექტორის პრობლემები და აგრობიზნესის განვითარების სტრატეგია საქართველოში

ანოტაცია

ნაშრომში გადმოცემულია საქართველოს სოფლის მეურნეობის პრობლემები, დასაბუთებულია აგრობიზნესის განვითარების აუცილებლობა, შეფასებულია აგრობიზნესის გარემო და განხორციელებული აგრარული პოლიტიკის შედეგები.

გამოვლენილია აგრობიზნესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები და ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის გამოყენებით შემოთავაზებულია მათი გადაჭრის

შესაძლებლობები.

აგრობიზნესის საჭიროებების გამოსავლენად ჩატარებულია SWOT ანალიზი. SWOT-ანალიზისთვის საჭირო მსგავსი მიზნების შესაბამისად კვლევა ჩატარებულია 25 მცირე და საშუალო ზომის ფერმერულ მეურნეობაში. შესაბამისად გაერთიანებული სახით წარმოდგენილია აგრობიზნესის განვითარების ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები.

სტატიაში საქართველოში აგრობიზნესის განვითარების საჭიროებები შეფასებულია პრიორიტეტების მიხედვით: დაავადებების პრევენცია და მათი ზიანის შემცირება; დაბალი საპროცენტო განაკვეთის მქონე გრძელვადიან აგროკრედიტებზე ხელმისაწვდომობა; ფერმერთა კვალიფიკაციის, მათი განათლების დონის ამაღლება და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება; კანონმდებლობის ცვლილება; მაღალი ხარისხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობა; ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

4. აგრობიზნესის განვითარების სტრატეგია საქართველოში

ანოტაცია

საქართველოს სოფლის მეურნეობაში მიმდინარე ტენდენციების შესაბამისად სტატიაში დასაბუთებულია აგრობიზნესის განვითარების აუცილებლობა, შეფასებულია აგრობიზნესის გარემო და განხორციელებული აგრარული პოლიტიკის შედეგები. გამოვლენილია აგრობიზნესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები და ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის გამოყენებით შემოთავაზებულია მათი გადაჭრის შესაძლებლობები. საქართველოში აგრობიზნესის განვითარების საჭიროებები შეფასებულია პრიორიტეტების სქემის მიხედვით.

კვლევის საფუძველზე შემოთავაზებულია საქართველოში აგრობიზნესის განვითარების სტრატეგიები და განსაზღვრულია შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები. გაკეთებულია დასკვნები, რომელთა საფუძველზე შემოთავაზებულია რეკომენდაციები.

* სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	გ.ერქომაიშვილი	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და საინვესტიციო პოლიტიკა საქართველოში	თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, 10-11 ივლისი, 2015წ.
ანოტაცია			
მოხსენება ეხება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მდგომარეობას და საინვესტიციო პოლიტიკას საქართველოში. ნაშრომში გადმოცემულია ის ინსტრუმენტები და რეგულაციები, რომელიც ხელს შეუწყობს მის განვითარებას. შესწავლილი და			

გაანალიზებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არსებული მდგომარეობა, მის ზრდასა და შემცირებაზე მოქმედი ფაქტორები, სახელმწიფო მხარდაჭერის პრიორიტეტული მიმართულებები.

ნაჩვენებია, რომ საქართველოს დღეს სჭირდება ინვესტიციების მოზიდვა, რაც განაპირობებს ისეთი პრობლემების გადაჭრას, როგორიცაა დასაქმება და შემოსავლების ზრდა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, საექსპორტო პოტენციალისა და ქვეყანაში სავალუტო შემოსავლების ზრდა, საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ქვეყნის ინტეგრაცია და სხვ. დღესდღეობით, საქართველოში არ არის ბევრი მსხვილი კორპორაცია და კომპანია, რომელთა შემოსავლებითაც შესაძლებელი იქნება ეკონომიკაში რეინვესტირება. ამიტომ უცხოურ კაპიტალზე საქართველოს დამოკიდებულება მეტად დიდია.

კვლევის შედეგად წარმოდგენილია საქართველოში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების სტრატეგია, შესაბამისი დასკვნები, რომელთა საფუძველზე მოცემულია რეკომენდაციები.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**G.Erkomaishvili**	Consumer Market for Mineral Water and Development Policy in Georgia	Rome, Italy, 5-6 may, 2015
2	**G.Erkomaishvili** E. Kharaishvili, M. Chavleishvili	Agribusiness Development Strategy in Georgia	Madrid, Spain, 12-13 november, 2015

ანოტაცია

1. ნაშრომში შესწავლილი და გაანალიზებულია მინერალური წყლების წარმოების სფეროში არსებული მდგომარეობა, აღნიშნული პროდუქციის ექსპორტის ზრდაზე და შემცირებაზე მოქმედი ფაქტორები. აღნიშნულია, რომ კონკურენტული უპირატესობის მოპოვებისა და შენარჩუნებისათვის აუცილებელია თანამედროვე დიზაინით გაფორმებული მაღალი ხარისხის პროდუქციის უწყვეტი მიწოდება, ახალი ბაზრების ათვისებისათვის სადისტრიბუციო ქსელების გახსნა, სარეკლამო საქმიანობის ფართოდ გაშლა, ელექტრონული ვაჭრობის ორგანიზაცია. ფალსიფიცირებული პროდუქციისაგან ბაზრების დასაცავად აქტიური როლი სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას ეკუთვნის. ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში. სტაბილური ბიზნეს გარემო და ექსპორტზე ორიენტირებული სტრატეგია არის ქვეყნის ეკონომიკური ზრდის საფუძველი.

2. აგრობიზნესის განვითარების სტრატეგია საქართველოში

ანოტაცია

საქართველოს სოფლის მეურნეობაში მიმდინარე ტენდენციების შესაბამისად სტატიაში დასაბუთებულია აგრობიზნესის განვითარების აუცილებლობა, შეფასებულია აგრობიზნესის გარემო და განხორციელებული აგრარული პოლიტიკის შედეგები. გამოვლენილია

აგრობიზნესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები და ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის გამოყენებით შემოთავაზებულია მათი გადაჭრის შესაძლებლობები. საქართველოში აგრობიზნესის განვითარების საჭიროებები შეფასებულია პრიორიტეტების სქემის მიხედვით.

კვლევის საფუძველზე შემოთავაზებულია საქართველოში აგრობიზნესის განვითარების სტრატეგიები და განსაზღვრულია შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები. გაკეთებულია დასკვნები, რომელთა საფუძველზე შემოთავაზებულია რეკომენდაციები

ასოცირებული პროფესორ ეკა ლეკაშვილი

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	E. Lekashvili (Co-author R. Gvelesiani)	*The First World War: Analysis and Interpretation, Volume 2*, edited by Antonello Biagini and Giovanna Motta.	Cambridge Scholars Publishing, 2015, Lady Stephenson Library, Newcastle upon Tyne, NE6 2PA, UK. ISBN (10): 1-4438-8531-2 ISBN (13): 978-1-4438-8531-7	pp.465-475

ანოტაცია

გერმანული მონოპოლისტური და ფინანსური კაპიტალის წამყვანი წარმომადგენლები, რომლებიც აყალიბებდნენ გერმანიის ეკონომიკურ პოლიტიკას, დაინტერესებულნი იყვნენ საქართველოს საკითხით პირველი მსოფლიო ომამდე და ომის შემდგომ პერიოდში. ამ რეგიონის ბუნებრივი რესურსები განსაკუთრებით იზიდავდა გერმანიის რკინისა და ფოლადის მწარმოებლებს, ისევე როგორც ამ დარგში მოქმედი კონმპანიების მესაკუთრეებს. ამ თავლასაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა საქართველოში მათი საქმიანობის ანალიზი, კერძოდ, მათი ინტერესების ფორმირება და გერმანიის ეკონომიკურ პოლიტიკაზე ზეგავლენის შედეგები, რომლებიც მიმართული იყო საქართველოსკენ. კონცერნმა – ტისენ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ მიმართულებით. კომპანიამ დაამყარა კავშირები გერმანიის სახელმწიფო აპარატთან კაიზერის ხელმძღვანელობით და მიმართა იგი სამხედრო და პოლიტიკური მიზნებისდან მაქსიმალური მოგების მიღებისკენ.

გერმანია ცდილობდა გამოეყენებინა ყველა ხელშეკრულება საქართველოსთან მის ეკონომიკაზე ძლიერი ზეგავლენის მოსახდენად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გერმანული კომპანიები, კონცერნები და ბანკები სრულად აკონტროლებდნენ ეკონომიკურ საქმიანობას საქართველოში და იღებდნენ სარგებელს ბუნებრივი რესურსების გატანიდან და სახელმწიფო ფინანსებიდან. თუმცა, საბჭოთა დიქტატურის დამყარებამ ტისენის და მისი კონკურენტების ეკონომიკური მიზნები საქართველოში განუხორციელებელი დატოვა.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	E.Lekashvili	Entrepreneurial Way of Thinking and Its Development Challenges in Georgia.	L'Association 1901 „SEPIKE", Journal	Ausgabe 8,m Osthofen, Deutchland, Patiers, France, Los Angeles, USA. 31. 03.15.	pp. 121-126

ანოტაცია

კვლევის მიზანია საქართველოში სამეწარმეო აზროვნების განვითარების პრობლემების შესწავლა თანამედროვე ეტაპზე და მისი გადაწყვეტის გზების დასახვა. საქართველოში კონკურენტუნარიანი ბიზნესის და სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას აფერხებს ძირითადად სამეწარმეო განათლების და აზროვნების დაბალი დონე.

ევროკავშირში სამეწარმეო აზროვნების განვითარების მხარდაჭერა ხორციელდება სამეწარმეო აზროვნების, განწყობისა და ამ მიმართულებებით იდეების მიწოდების სტიმულირებით, რაც საბოლოოდ სამეწარმეო აზროვნების ამაღლებაში გამოიხატება და, მეორე, ახალი ცოდნის მიღებისა და ტექნოლოგიების განვითარების მხარდაჭერით.

სამეწარმეო აზროვნების განვითარება ფრაგმენტული ამოცანების გადაწყვეტით, სამეწარმეო განათლების სისტემატიზაციის გარეშე, ეფექტიან შედეგს ვერ უზრუნველყოფს. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს სწავლების ყველა საფეხურს - ზოგადი, პროფესიული, უმაღლესი, სიცოცხლის მანძილზე სწავლება - შორის აზროვნების ლოგიკური განვითარებისა და სრულყოფის უზრუნველყოფას.

საქართველოში სამეწარმეო ხარისხისა და კულტურის ამაღლების მიზნით სასურველია საგანმანათლებლო სისტემაში ჩარევა და სამეწარმეო განათლების ინიციატივების დანერგვა. ნაშრომში შემოთავაზებულია რეკომენდაციები სამეწარმეო აზროვნებისა და განათლების დონის ამაღლების უზრუნველყოფისათვის.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ე. ლეკაშვილი	თბილისი, როგორც ბაზრის აგენტი	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

			მიერ დაგეგმილი საერთაშორისო სამეცნიერო ფესტივალი, 2015 წლის 13-14 ნოემბერი, პირველი საერთაშორისო კონფერენცია თემაზე:"თანამედროვე განვითარების ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პრობლემები – 2015". http://atsu.edu.ge/Conferences/BLSS/

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

შესავალი და კვლევის მიზანი:

ტურიზმის ინდუსტრიაში განსაკუთრებით აქტუალურია საქალაქო ტურიზმი, რადგან ქალაქი ყოველთვის იყო ბიზნესისა და ვაჭრობის, ტურისტული აქტივობების ცენტრი და ხელს უწყობდა ეროვნულ ეკონომიკის განვითარებას.

ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლები ხშირად სათანადოდ ვერ აფასებენ საბაზრო ძალების პოტენციალს. ისევე როგორც ჩვეულებრივ ბაზარზე, ქალაქის მმართველობამ ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად უნდა იმოქმედოს და იზრუნოს ქალაქის, როგორც ბაზრის ერთ-ერთი სუბიექტის განვითარებაზე.

საქალაქო ტურიზმი ქალაქის, როგორც ტურისტული ბაზრის აგენტის შესაძლებლობების გამოვლენის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს. ზოგადთეორიული მიგნებებისგან განსხვავებით, ტურისტული ბაზარი მომსახურების ის სფეროა, რომელიც თანაბრად წარმატებულად შეიძლება განვითარდეს როგორც დიდ, ასევე საშუალო და პატარა ქალაქებში, საქალაქო ტურიზმის სახეების შესაბამისად.

კვლევის მეთოდოლოგია:

ნაშრომის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლებს წარმოადგენს საქალაქო ტურიზმის საკითხებზე არსებული თანამედროვე სამეცნიერო ნაშრომები, ასევე, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ანგარიშები, ტურიზმის საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციების მასალები და სხვა. კვლევისას გამოვიყენეთ ლოგიკური, სტატისტიკური ანალიზის და ფაქტობრივი კვლევის მეთოდები.

თბილისის ტურისტული შესაძლებლობის კვლევაში შევისწავლეთ საქართველოში ვიზიტორთა ვიზიტის მიზანი, დანახარჯების განაწილება კატეგორიების მიხედვით, მონახულების ადგილი და კმაყოფილების დონე.

სამწუხაროდ, არ არსებობს სტატისტიკური ინფორმაცია, რამდენი ტურისტი სტუმრობს ამ ადგილებს დღიურად ან სეზონზე, რამდენია მათგან მიღებული შემოსავალი, რა კონკრეტული მიზეზით არის გამოწვეული ტურისტების ზრდა ან კლება და ა.შ.

დასკვნა

ამრიგად, ქალაქ თბილისის ტურისტულ და რესურსულ პოტენციალი ქალაქს იმის შესაძლებლობებს აძლევს, რომ ტურიზმის ბაზარზე აქტიური ბიზნეს-აგენტის ადგილი დაიკავოს, შექმნას ტურისტულ ბიზნესში ინვესტიციების განხორციელების და კონკურენციისთვის ხელსაყრელი გარემო პირობები, შექმნას დამატებითი სამუშაო ადგილები და შემოსავალი და ხელი შეუწყოს ადგილობრივი შესაძლებლობების წარმოჩენას, რაც საბოლოო ჯამში ადგილობრივი ქალაქის განვითარებას და ცხოვრების დონის გაუმჯობესებას უწყობს ხელს.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	E.Lekashvili (Co- authors L. Lursmanashvili, E. Tukhashvili)	Silk Production in Georgia: History and Development Opportunities	International Conference: Fashion through History, Costumes, Symbols, Communication. Italy, Rome, (Sapienza University), 20-21 May, 2015

მოხსენებათა ანოტაციები

კვლევაში გადმოცემულია საქართველოში აბრეშუმის წარმოების განვითარების ევოლუცია უძველესი დროიდან დღემდე. ცნობილია, რომ აბრეშუმის ჭიის გამოსაკვებად საჭიროა თუთის ხის ფოთოლი. თუთა კი კავკასიაში ბუნებრივად გავრცელებული მცენარეა, რამაც სავარაუდოდ ხელი შეუწყო აბრეშუმის წარმოებას უძველეს საქართველოში. აბრეშუმის ბოჭკოს მიღების საიდუმლოს საქართველოში ძველთაგანვე ფლობდნენ, რასაც მრავალი ისტორიულ-ლიტერატურული ძეგლი მოწმობს. შუასაუკუნეების ცნობილი ქართველი ისტორიკოსები და უცხოელი მოგზაურები ადასტურებენ აბრეშუმის წარმოებასთან დაკავშირებული საქმიანობის, როგორც წამყვანი სამეურნეო დარგის არსებობას საქართველოში. აბრეშუმი ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული ადგილობრივი წარმოების, საშინაო და საერთაშორისო ვაჭრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საგანი იყო საქართველოში. ადრეულ წლებში, მას ვალუტის დანიშნულებაც ჰქონდა და კონტრიბუცია - გამოსასყიდადაც იყენებდნენ ოქროსა და ვერცხლთან ერთად.

რუსეთის კოლონიური რეჟიმის პირობებში საქართველო ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებთან ერთად აბრეშუმით ამარაგებდა რუსეთის საფეიქრო ფაბრიკებს, ხოლო მცირე ნაწილის გადამუშავება ხდებოდა ადგილზე.

გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან საბჭოთა კავშირის პირობებში მეაბრეშუმეობას დიდი ყურადღება მიექცა. საქართველოში წარმოდგენილი იყო აბრეშუმის წარმოების თითქმის ყველა რგოლი.

საქართველოში წარმოებული ნატურალური აბრეშუმის (შიფონის) ქსოვილი უაღრესად დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა არა მარტო ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, არამედ ევროპაში; საყურადღებოა, რომ ნატურალური აბრეშუმის ქსოვილზე დღესაც დიდი მოთხოვნაა.

თანამედროვე ეტაპზე, საერთაშორისო ორგანიზაციების – შ I -ისა და I ჩ-ის შეფასებით, საქართველოში საფეიქრო სექტორს დიდი პოტენციალი აქვს და საერთაშორისო ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე კონკურენტუნარიანია. ამასთან, საქართველოს საპარტნიორო ფონდის პორტფელში შედის წარმოებასთან დაკავშირებული რამდენიმე საინვესტიციო სქემა, მათ შორის ტანსაცმლის, ნართის და საფეიქრო წარმოების ხელშეწყობის მიზნით. პროფესიული ცოდნა, წარსულის გამოცდილება, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, ღია და ლიბერალური ვაჭრობა, შედარებით იაფი მუშახელი, მდიდარი ადამიანური რესურსები, გამოცდილება მრეწველობის სხვადასხვა დარგებში, განვითარებული ინფრასტრუქტურა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე, ინვესტორებისათვის ხელსაყრელი დაბალი გადასახადები, სანდო და შედარებით იაფი კომუნალური მომსახურება (ელექტროენერგია, წყალი და ა.შ.) ამცირებს ბიზნესის წარმოების ხარჯებს

და ბიუროკრატიულ ბარიერებს, რაც საქართველოს კონკურენტუნარიანს ხდის როგორც რეგიონში, ისე გლობალურად.
სოფლის მეურნეობის მასშტაბური განვითარების პირობებში იქმნება რეალური ბაზა მსუბუქი მრეწველობის რიგი დარგების ნედლეულით უზრუნველსაყოფად. აქედან გამომდინარე, დღის წესრიგში დგება დასავლეთ საქართველოში (სამტრედია) და აღმოსავლეთ საქართველოში (თელავი) აბრეშუმის პარკის ძაფსახვევი-საგრეხი ფაბრიკების აღდგენა. ადგილობრივი წარმოების აბრეშუმის ნატურალური ძაფის, ასევე კამვოლური ნართის მიღების პირობებში, ეტაპობრივად განსახილველია ყოფილი თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატისა და ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების აღდგენის მიზანშეწონილობა, რათა ადგილობრივი ნედლეულით გამოშვებული იქნას ნატურალური შალისა და აბრეშუმის ქსოვილები.

ასისტენტ-პროფესორი გიორგი გაფრინდაშვილი

* პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლ ობა	გვერდების რაოდენობა
1	Giorgi Gaprindashvili	"Public procurement development stagesin Georgia". World Academy of Science, Engineering and Technology International Journal of Social, Education, Economics and Management Engineering, International Scholarly and Scientific Research & Innovation 9(3) 2015,	Vol:9, No:3,	Madrid, Spain, March 26-27, 2015	p. 945-947

ანოტაცია

1. ჩვენს ყოველდღიულობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სახელმწიფო სახსრების გადანაწილებასა და მოხმარებას მოსახლეობის სოციალური და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე პროგრამების დაფინანსებასა და განხორციელებაში.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, მას შემდეგ რაც სახელმწიფოს მხრიდან გაწეული ხარჯები საგრძნობლად გაიზარდა, აუცილებელი გახდა აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებით საერთაშორისო სტანდარტების შემუშავება, რომელიც სამთავრობო შესყიდვებთან დაკავშირებით ზოგად წესს ჩამოაყალიბებდა. ყოველივე ამას საფუძვლად დაედო ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ შეთანხმება, რომელშიც არ იყო მკაფიოდ განსაზღვრული სახელმწიფო შესყიდვების რეგულაციები, თუმცა მოგვიანებით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ მოხდა აღნიშნული რეგულაციების გავრცობა-დახვეწა, რომელიც ამოქმედდა 1996 წლიდან. მოცემული რეგულაციები შემდეგ ძირითად პრინციპებს

ეყრდნობა: 1) შესყიდვების პროცესის გამჭვირვალედ განხორციელება; 2) შესყიდვების პროცესში კონკურენტუნარიანი არადისკრიმინაციული გარემოს ფორმირება; 3) სახელმწიფო ფინანსების რაციონალური ხარჯვა.

მნიშვნელოვანია სახელმწიფო შესყიდვების პროცესის დაგეგმვა და სისტემატიზაცია პოსტ–სოციალისტურ ქვეყნებში, სადაც ეტაპობრივად განხორციელდა საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა. აღნიშნული პროცესი მას შემდეგ დაიწყო, რაც საბჭოთა კავშირში შემავალმა რესპუბლიკებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს. ახლადჩამოყალიბებული სახელმწიფო ინსტიტუტებისთვის სიახლეს წარმოადგენდა სახელმწიფო ვალდებულებების შესრულებაში შემოეყვანათ ახალი სუბიექტი კერძო კომპანიების სახით, რადგან მათვის ასევე სიახლეს წარმოადგენდა საბაზრო ეკონომიკის პრინციპები და ფუნქციონირების საფუძვლები.

პოსტ–სოციალისტურ ქვეყნებში სახელმწიფო შესყიდვების ევოლუციის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს საქართველოში გატარებული რეფორმები, რომლითაც მოხდა შესყიდვების საეთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება. საქართველოში, სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი

კანონმდებლობის შემუშავება და ფუნქციონირება 1998 წლიდან დაიწყო. მოცემული მიმართულებით რეფორმამ რამდენიმე ეტაპი გაიარა და მოვიდა დღემდე არსებული სახით. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც, სახელმწიფო შესყიდვების რეფორმა მსოფლიო ბანკის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებისა და მხარდაჭერის შედეგად განხორციელდა .

პირველი კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოში მიღებული იქნა 1998 წლის 9 დეკემბერს, რომლის ძირითად მიზანს და ამოცანებს წარმოადგენდა, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული შესყიდვების პროცესის დარეგულირება, გამჭირვალე კონკურენტული გარემოს ფორმირება და სახელმწიფო სახსრებთან კერძო კომპანიების ხელმისაწვდომობა კანონიერი გზით. კანონის მოცემულ რედაქციაში მოცემული პრიორიტეტები საკმაოდ მკაფიოდ იქნა განსაზღვრული, მაგრამ სათანადო დონეზე მისი ფუნქციონირება ვერ მოხერხდა სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გათვალისწინებით. უმთავრეს შემაფერხებელ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს კორუფციის მაღალი მაჩვენებელი სახელმწიფოს მმართველობის ყველა დონეზე, რაც ბუნებრივია პირდაპირპროპორციულად აისახებოდა შესყიდვების პროცესის, როგორც გამჭირვალეობაზე ასევე საბიუჯეტო თანხების რაციონალურ ხარჯვაზე. სწორედ ეს მოცემული გარემოებები გახდა მიზეზი იმისა, რომ ამ სფეროში მომდევნო წლებშიც გაგრძელდა რეფორმები შესყიდვების პროცესის გასაუმჯობესებლად, კერძოდ კი პირველი ტალღა რეფორმებისა დაიწყო 2001 წელს. შესყიდვების სააგენტომ მსოფლიო ბანკთან ერთად განახორციელა რეფორმა, რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა საქართველოს შესყიდვების კანონმდებლობის დახვეწა და ჰარმონიზაცია საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან. ასევე მსოფლიო ბანკთან ერთად განხორციელდა სხვადასხვა სახის აქტივობები, რომელიც მიზნად ისახავდა შესყიდვების სისტემის პროცესში მონაწილე პრების ცნობიერების ამაღლებას. შემდგომი ძირეული ცვლილებები კანონმდებლობაში შეტანილი იქნა 2005 წლის მაისში, რაც ასევე მიმართული იყო შესყიდვების პროცესის დახვეწისა და გაუმჯობესებისაკენ. 2010 წელს დაიწყო რეფორმის მესამე ტალღა, რომლითაც მეტნაკლებად შესაძლებელი გახდა შესყიდვების პროცესის გამჭირვალეობა, რაც შემდგომ პერიოდში სახელმწიფო სახსრების რაციონალური ხარჯვის საფუძველი გახდა. რეფორმის შედეგად

სრულიად შეიცვალა შესყიდვების სისტემის პროცედურა.

გატარებული რეფორმების შედეგად საქართველოში დაინერგა ელექტრონული ტენდერების სისტემა, რომელიც პროცესის გამჭვირვალობაზე დადებითად აისახა, შემდგომ კი ეს გახლდათ საფუძველი კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბების რაც სახელმწიფო სახსრების რაციონალური ხარჯვის წინაპირობად იქცა. შესყიდვების პროცესში მონაწილე მომწოდებელი ორგანიზაციების გაზრდილმა რაოდენობამ გამოიწვია გამოცხადებულ ტენდერებში კონკურენციის შედეგად სავარაუდო ღირებულებასა და ფაქტობრივ ღირებულებას შორის 20%-დან 40%-მდე შემცირება, რაც შემსყიდველი ორგანიზაციებისთვის საკმაოდ დიდ ეკონომიას წარმოადგენს და მათ ეძლევათ შესაძლებლობა გამოთავისუფლებული თანხები საჭიროებისამებრ გამოიყენონ.

საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების სფეროში გატარებული რეფორმების შეფასების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნული სფეროს მართებულად რეგულირების და შესაბამისი პოლიტიკის გატარების გზით შესაძლებელია ქვეყანაში სახელმწიფო ინსტიტუციების მიერ მოხდეს საბიუჯეტო ხარჯების რაციონალურად და გამჭვირვალედ განკარგვა. ასევე, ბიზნესს სექტორს ეძლევა ბაზარზე კონკურენციის პირობებში დამკვიდრებისა და წინასწარი ანალიზის გაკეთების საშუალება, რაც მათვის სამომავლო სტრატეგიისა და განვითარების უტყუარ წინაპირობას წარმოადგენს.

* სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Giorgi Gaprindashvili	Public procurement development stagesin Georgia	March 26-27, 2015 Madrid, Spain

ანოტაციები

1. ჩვენს ყოველდღიურობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სახელმწიფო სახსრების გადანაწილებასა და მოხმარებას მოსახლეობის სოციალური და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე პროგრამების დაფინანსებასა და განხორციელებაში.
მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, მას შემდეგ რაც სახელმწიფოს მხრიდან გაწეული ხარჯები საგრძნობლად გაიზარდა, აუცილებელი გახდა აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებით საერთაშორისო სტანდარტების შემუშავება, რომელიც სამთავრობო შესყიდვებთან დაკავშირებით ზოგად წესს ჩამოაყალიბებდა. ყოველივე ამას საფუძვლად დაედო ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ შეთანხმება, რომელშიც არ იყო მკაფიოდ განსაზღვრული სახელმწიფო შესყიდვების რეგულაციები, თუმცა მოგვიანებით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ მოხდა აღნიშნული რეგულაციების გავრცობა-დახვეწა, რომელიც ამოქმედდა 1996 წლიდან. მოცემული რეგულაციები შემდეგ ძირითად პრინციპებს ეყრდნობა: 1) შესყიდვების პროცესის გამჭვირვალედ განხორციელება; 2) შესყიდვების

პროცესში კონკურენტუნარიანი არადისკრიმინაციული გარემოს ფორმირება; 3) სახელმწიფო ფინანსების რაციონალური ხარჯვა.

მნიშვნელოვანია სახელმწიფო შესყიდვების პროცესის დაგეგმვა და სისტემატიზაცია პოსტ–სოციალისტურ ქვეყნებში, სადაც ეტაპობრივად განხორციელდა საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა. აღნიშნული პროცესი მას შემდეგ დაიწყო, რაც საბჭოთა კავშირში შემავალმა რესპუბლიკებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს. ახლადჩამოყალიბებული სახელმწიფო ინსტიტუტებისთვის სიახლეს წარმოადგენდა სახელმწიფო ვალდებულებების შესრულებაში შემოეყვანათ ახალი სუბიექტი კერძო კომპანიების სახით, რადგან მათვის ასევე სიახლეს წარმოადგენდა საბაზრო ეკონომიკის პრინციპები და ფუნქციონირების საფუძვლები.

პოსტ–სოციალისტურ ქვეყნებში სახელმწიფო შესყიდვების ევოლუციის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს საქართველოში გატარებული რეფორმები, რომლითაც მოხდა შესყიდვების საეთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება. საქართველოში, სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი

კანონმდებლობის შემუშავება და ფუნქციონირება 1998 წლიდან დაიწყო. მოცემული მიმართულებით რეფორმამ რამდენიმე ეტაპი გაიარა და მოვიდა დღემდე არსებული სახით. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც, სახელმწიფო შესყიდვების რეფორმა მსოფლიო ბანკის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებისა და მხარდაჭერის შედეგად განხორციელდა .

პირველი კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოში მიღებული იქნა 1998 წლის 9 დეკემბერს, რომლის ძირითად მიზანს და ამოცანებს წარმოადგენდა, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული შესყიდვების პროცესის დარეგულირება, გამჭირვალე კონკურენტული გარემოს ფორმირება და სახელმწიფო სახსრებთან კერძო კომპანიების ხელმისაწვდომობა კანონიერი გზით. კანონის მოცემულ რედაქციაში მოცემული პრიორიტეტები საკმაოდ მკაფიოდ იქნა განსაზღვრული, მაგრამ სათანადო დონეზე მისი ფუნქციონირება ვერ მოხერხდა სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გათვალისწინებით. უმთავრეს შემაფერხებელ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს კორუფციის მაღალი მაჩვენებელი სახელმწიფოს მმართველობის ყველა დონეზე, რაც ბუნებრივია პირდაპირპროპორციულად აისახებოდა შესყიდვების პროცესის, როგორც გამჭირვალეობაზე ასევე საბიუჯეტო თანხების რაციონალურ ხარჯვაზე. სწორედ ეს მოცემული გარემოებები გახდა მიზეზი იმისა, რომ ამ სფეროში მომდევნო წლებშიც გაგრძელდა რეფორმები შესყიდვების პროცესის გასაუმჯობესებლად, კერძოდ კი პირველი ტალღა რეფორმებისა დაიწყო 2001 წელს. შესყიდვების სააგენტომ მსოფლიო ბანკთან ერთად განახორციელა რეფორმა, რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა საქართველოს შესყიდვების კანონმდებლობის დახვეწა და ჰარმონიზაცია საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან. ასევე მსოფლიო ბანკთან ერთად განხორციელდა სხვადასხვა სახის აქტივობები, რომელიც მიზნად ისახავდა შესყიდვების სისტემის პროცესში მონაწილე პრების ცნობიერების ამაღლებას. შემდგომი ძირეული ცვლილებები კანონმდებლობაში შეტანილი იქნა 2005 წლის მაისში, რაც ასევე მიმართული იყო შესყიდვების პროცესის დახვეწისა და გაუმჯობესებისაკენ. 2010 წელს დაიწყო რეფორმის მესამე ტალღა, რომლითაც მეტნაკლებად შესაძლებელი გახდა შესყიდვების პროცესის გამჭირვალეობა, რაც შემდგომ პერიოდში სახელმწიფო სახსრების რაციონალური ხარჯვის საფუძველი გახდა. რეფორმის შედეგად სრულიად შეიცვალა შესყიდვების სისტემის პროცედურა.

გატარებული რეფორმების შედეგად საქართველოში დაინერგა ელექტრონული ტენდერების სისტემა, რომელიც პროცესის გამჭვირვალობაზე დადებითად აისახა, შემდგომ კი ეს გახლდათ საფუძველი კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბების რაც

სახელმწიფო სახსრების რაციონალური ხარჯვის წინაპირობად იქცა. შესყიდვების პროცესში მონაწილე მომწოდებელი ორგანიზაციების გაზრდილმა რაოდენობამ გამოიწვია გამოცხადებულ ტენდერებში კონკურენციის შედეგად სავარაუდო ღირებულებასა და ფაქტობრივ ღირებულებას შორის 20%-დან 40%-მდე შემცირება, რაც შემსყიდველი ორგანიზაციებისთვის საკმაოდ დიდ ეკონომიას წარმოადგენს და მათ ეძლევათ შესაძლებლობა გამოთავისუფლებული თანხები საჭიროებისამებრ გამოიყენონ. საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების სფეროში გატარებული რეფორმების შეფასების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნული სფეროს მართებულად რეგულირების და შესაბამისი პოლიტიკის გატარების გზით შესაძლებელია ქვეყანაში სახელმწიფო ინსტიტუციების მიერ მოხდეს საბიუჯეტო ხარჯების რაციონალურად და გამჭვირვალედ განკარგვა. ასევე, ბიზნესს სექტორს ეძლევა ბაზარზე კონკურენციის პირობებში დამკვიდრებისა და წინასწარი ანალიზის გაკეთების საშუალება, რაც მათვის სამომავლო სტრატეგიისა და განვითარების უტყუარ წინაპირობას წარმოადგენს.

ასისტენტ პროფესორი ლალი ხურცია

საგრანტო კონკურსებში მონაწილეობა

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	როლი პროექტში
1	საქართველოში აშშ-ის საელჩოს წიგნის თარგმნის გრანტი „კიდევ ერთხელ ჯანდაცვის დაფინანსების შესახებ სახელმძღვანელო პრაქტიკოსებისთვის“ პაბლო გოტრე და ჯორჯ შიბერი	საქართველოში აშშ-ის საელჩო	თარგმანის რედაქტირება

პუბლიკაციები:

	ავტორი	სათაური	გამოცემა	წელი
	ლალი ხურცია,	Drugs, silk road, bitcoins	International science index, July, 2015, eISSN:1307-6892 p.3612-3615	2015
ანოტაცია: ამ სტატიაში გაანალიზებულია საქართველოში ნარკოტიკების ბაზრის ახალი მიმართულებები, რომელთაც საფუძვლად უდევს ინოვაციური ტექნოლოგიებსა და მოთხოვნა მიწოდებას შორის კავშირი. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ მიწოდების შეზღუდვა ვერ ახდენს ზეგავლენას მოთხოვნის შემცირებაზე და ნარკოტიკების ბაზარი ცდილობს მოერგოს არსებულ გამოწვევებს.				
	ლალი ხურცია	ეკონომიკური ეფექტიანობა და ხარჯთააღრიცხვის ანალიზი ჯანდაცვაში	ჟურნალი „ეკონომისტი“ მე-7 ტომი 446-454 გვ	2015

ანოტაცია: სტატიაში გაანალიზებულია ჯანდაცვაში ეკონომიკური კვლევის სხვადასხვა მიდგომა - ეკონომიკური ეფექტურობა, ხარჯთსარგებლიანობა, ხარჯთეფექტურობა, შეფასებულია ადამიანის სიცოცხლის ღირებულების გამოთვლის მეთოდები და მოყვანილია მათი გამოყენების მაგალითი სხვადასხვა კვლევაში.

სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა

1	ბათუმის საერთშორისო კონფერენცია ASPIRE TEMPUS ფარგლებში	პრეზენტაცია: შშმ პირების ეკონომიკური ინტეგრაციის პერსპექტივები საქართველოში	2015, სექტემბერი 29-30, ბათუმი, საქართველო
ანოტაცია: როგორც წესი ყველა სახელმწიფო პოლიტიკის საბოლოო მიზანი საზოგადოების წევრთა კეთილდღეობის ამაღლება და ადამიანების ღირსეული ცხოვრების შესაძლებლობის მიცემა უნდა იყოს. ადამიანის ღირსეული ცხოვრება ნიშნავს იმას, რომ თითოეულ ადამიანს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ისწავლოს, იმუშაოს, იზრუნოს თავის ჯანმრთელობაზე და მიაღწიოს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად წარმოჩენას. პოლიტიკის საბოლოო მიზნად ამგვარი შედეგის დასახვა განსაკუთრებული სიმწვავით ჩანს სახელმწიფოს სოციალური პაკეტების შემთხვევაში. საკმარისია თვალი გადავავლოთ უახლესი წლების სახელმწიფო ბიუჯეტს და სოციალური დახმარებების რაოდენობას, რომელიც ნათლად მეტყველებს, რომ ბიუჯეტი დატვირთულია ისეთი ვალდებულებებით, რომლებიც მხოლოდ ელემენტარული სასიცოცხლო პირობების შენარჩუნებაზეა გათვლილი და საერთოდ არ ითვალისწინებს სახელმწიფო პოლიტიკის მთავარ მიზანს, ასეთ ვალდებულებებად შეიძლება იქნეს განხილული შშმ პირებზე გაცემული სოციალური დახმარებებიც.			
2	17th International conference on business and economics, 2015, July, Istanbul	Oral presentation, Drugs, Silk Road, Bitcoins	2015, July 29-30, Istanbul, Turkey, WASET.org

ანოტაცია: საქართველოს დღევანდელი ნარკოპოლიტიკა მიმართულია ნარკოტიკების მიეოდების შემცირებისკენ. რეტროსპექტული ანალიზი აჩვენებს, რომ სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობას უკვე მოჰყვა კონკრეტული ინექციური ნარკოტიკების გაძევება. თუმცა მოთხოვნა ნარკოტიკებზე უცვლელი რჩება და ის კიდევ უფრო სახიფათო ნარკოტიკებზე ინაცვლებს. ჩატარებული ხარისხობრივი კვლევის მიხედვით, რომლის მიზანი იყო ნარკოტიკების მიწოდების მარშრუტების გამოკვლევა, დადგინდა ახალი ტენდენციები ადგილობრივი ნარკოტიკების ბაზარზე. აღმოჩნდა, რომ, ნარკოტიკების მომწოდებლები და მომხმარებლები იყენებენ სკაიპს, , როგორც უსაფრთხოების, ასევე ანონიმურობის დაცვის მიზნით. საინფორმაციო ტექნოლოგიები კიდევ უფრო დახვეწილია ნარკოტიკების უკანონო ვაჭრობის გლობალურ დონეზე. ბიტკოინებით ვაჭრობა დარკნეტ ქსელში უზრუნველყოფს მაღალი კონფიდენციალურობის დონეს ფულად ოპერაციებსა და ნარკოტიკების უსაფრთხო მიმოქცევაში. 2014 წელს საქართველოში აშენდა ბიტკოინების მომპოვებელი უდიდესი საწარმო მსოფლიოში. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ბიკოინების და დარკნეტ-ის გამოყენება საქართველოს ნარკოტიკების მომწოდებლებისა და მომხმარებლებისთვის იქნება სტიმული რეაგირება მოახდინონ ხელისუფლების მიწოდების შეზღუდვის პოლიტიკაზე რათა დააკმაყოფილონ ბაზრის მოთხოვნა ნარკოტიკებზე.

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინხტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, მიკროეკონომიკის კათედრა

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: **პროფესორი ეთერ ხარაიშვილი**

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა
ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე
ასოცირებული პროფესორი მარინა ჩავლეიშვილი
ასოცირებული პროფესორი ია ნაცვლიშვილი
ასისტენტ პროფესორი თამარ ლაზარიაშვილი

პროფესორი ეთერ ხარაიშვილი

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**ე. ხარაიშვილი,** მ. ჩავლეიშვილი, ც. მიქატაძე, ნ. დამენია	მენეჯერული ეკონომიკა, ლექციების კურსი	გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი, 2015.	179 გვ.
ანოტაცია ლექციების კურსი შედგენილია მენეჯერულ ეკონომიკაში ადაპტირებული სახელმძღვანელოებისა და სილაბუსების საფუძველზე. კურსში წარმოდგენილია 11 თავი.				

ყოველი თავის დასაწყისში ჩამოყალიბებულია თემის შესწავლის მიზნები, ხოლო თავის ბოლოში მოცემულია ძირითადი ტერმინები და კითხვები განხილვისათვის. კურსს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.
კურსი განკუთვნილია ეკონომიკური პროფილის მაგისტრატურის სტუდენტებისათვის.

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**Kharaishvili E.** Erkomaishvili G. Chavleishvili M.	Problems Faced by the Agricultural Sector and Agribusiness Development Strategy in Georgia	International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic, Business and Industrial Engineering (Vol:9 No:11, 2015) http://www.waset.org/Publications	World Academy of Science, Engineering and Technology, International Science Index 107	7 p.
2	**Kharaishvili E.**	Farm Diversification and the Corresponding Policy for its Implementation in Georgia	Science Index 101, International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic, Business and Industrial Engineering, 9(5), 2015. http://www.waset.org/Publications (Vol:9 No:5, 2015)	World Academy of Science, Engineering and Technology	7p.

ანოტაციები

1. **აგრარული სექტორის პრობლემები და აგრობიზნესის განვითარების სტრატეგია საქართველოში**

სტატიაში დახასიათებულია საქართველოს სოფლის მეურნეობაში მიმდინარე ტენდენციები, გამოვლენილია აგრარულ სექტორში არსებული პრობლემები.

SWOT ანალიზის საფუძველზე შეფასებულია ქვეყანაში განხორციელებული აგრარული პოლიტიკის შედეგები, დასაბუთებულია აგრობიზნესის განვითარების აუცილებლობა და შემოთავაზებულია ამ სფეროს პრიორიტეტული განვითარების მიმართულებები. აგრობიზნესის კონკურენტული გარემოს ანალიზის შსაბამისად გამოვლენილია აგრობიზნესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები.

კვლევის საფუძველზე შემოთავაზებულია საქართველოს აგრარულ სექტორში არსებული პრობლემების მოგვარების გზები, განსაზღვრულია აგრობიზნესის განვითარების სტრატეგიები და გაკეთებულია დასკვნები, რომელთა საფუძველზე შემოთავაზებულია რეკომენდაციები.

2. **ფერმერულ მეურნეობათა დივერსიფიკაცია და მისი განხორციელების პოლიტიკა საქართველოში**

ნაშრომში დასაბუთებულია ფერმერულ მეურნეობათა დივერსიფიკაციის აუცილებლობა საქართველოს სოფლის მეურნეობაში მიმდინარე ტენდენციების შესაბამისად, შემოთავაზებულია მისი განხორციელების შესაძლებლობები და ხელშეწყობი ეკონომიკური პოლიტიკა.

გამოვლენილია ფერმერულ მეურნეობათა დივერსიფიკაციის შემაფერხებელი მიზეზები,შემოთავაზებულიადივერსიფიკაციის განხორციელების შესაძლებლობები, დასაბუთებულია დივერსიფიკაციით სამუშაო ძალის გამოყენების ზრდის შესაძლებლობები; მოსავლის დივერსიფიკაციის ინდექსი გაანგარიშებულია მარცვლეული და პარკოსანი, კარტოფილისა და ბოსტნეულ-ბაღჩეულის, საკვები კულტურებით დაკავებული მიწის ფართობების მიხედვით. გაანალიზებულია მემცენარეობისა და მეცხოველეობის წარმოების ინდექსები, შესწავლილია კორელაციური კავშირები მოსავლიანობის ინდექსსა და ერთ მომუშავესა და ერთ ჰა-ზე მიღებულ დამატებულ ღირებულებას შორის.

კვლევის შედეგად წარმოდგენილია საქართველოში ფერმერულ მეურნეობათა დივერსიფიკაციის სტრატეგიები და შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები. გაკეთებულია დასკვნები, რომელთა საფუძველზე მოცემულია რეკომენდაციები.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**ხარაიშვილი ე.**	ფერმერულ მეურნეობათა მასშტაბები და აგრობიზნესის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში	საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“, თბილისი, 27-28 ივნისი, 2015
2	**ხარაიშვილი ე.**	აგრობიზნესის განვითარების პრობლემები და პრიორიტეტული საჭიროებები საქართველოში	საუნივერსიტეტთაშირისი სამეცნიერო კონფერენცია „ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები”, ახალციხე, 2015.

მოხსენებათა ანოტაციები

1. **ფერმერულ მეურნეობათა მასშტაბები და აგრობიზნესის განვითარების საჭიროებები საქართველოში**

საქართველოს სოფლის მეურნეობაში მიმდინარე ტენდენციების შესაბამისად დასაბუთებულია აგრობიზნესის განვითარების აუცილებლობა, გაანალიზებულია ფერმერულ მეურნეობათა რაოდენობა და მასშტაბები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია მცირემასშტაბიან მეურნეობებზე, შესწავლილია ამ მეურნეობათა ფართობების სიხშირე

მიწის მთლიან ფონდში, შეფასებულია წარმოების მასშტაბების როლი მწარმოებლურობის ზრდაში, დანახარჯი-სარგებლის ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია კორელაციური კავშირები ფერმერულ მეურნეობათა მასშტაბებსა და სამეურნეო შედეგებს შორის.

ნაშრომში დასაბუთებულია ფერმერულ მეურნეობათა მასშტაბების ზრდითა და წარმოების უწყვეტი ჯაჭვის შექმნით გამოწვეული კონკურენტული უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობები.

აგრობიზნესის საჭიროებების გამოსავლენად ჩატარებულია SWOT ანალიზი, დარგის ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილია აგრობიზნესის განვითარების ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები.

კვლევის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები საქართველოში აგრობიზნესის განვითარების საჭიროებებზე და შემოთავაზებულია შესაბამისი რეკომენდაციები.

2. **აგრობიზნესის განვითარების პრობლემები და პრიორიტეტული საჭიროებები საქართველოში**

სტატიაში დასაბუთებულია აგრობიზნესის განვითარების აუცილებლობა საქართველოში, გაანალიზებულია მისი როლი სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის მოგვარებასა და მოსახლეობის სიღარიბის დაძლევაში, გაანალიზებულია ამ სფეროში არსებული პრობლემები.

აგრობიზნესის საჭიროებების გამოსავლენად ჩატარებულია SWOT ანალიზი, დარგის ანალიზის საფუძველზე დადგენილია აგრობიზნესის განვითარების ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები.

კვლევის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები საქართველოში აგრობიზნესის სფეროში არსებულ პრობლემებზე, გამოვლენილია აგრობიზნესის განვითარების საჭიროებები და შემოთავაზებულია შესაბამისი რეკომენდაციები.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Kharaishvili E.	Agribusiness Development Strategy in Georgia	17th Internacional Conference on Economics and Marketing Managment, Madrid, Spain, 5-6 May, 2015 www.waset.org
2	Kharaishvili E.	Farm Diversification and the Corresponding Policy for its Implementation in Georgia **(Dublicat)**	World Academy of Science, Engineering and Technology - ICEMBIT 2015: International Conference on Economics, Management of Business, Innovation and Technology - Economics and Business Sciences Conferences, Rome, Italy, 5-6 May, 2015 www.waset.org

მოხსენებათა ანოტაციები

1. **აგრობიზნესის განვითარების სტრატეგია საქართველოში**

საქართველოს სოფლის მეურნეობაში მიმდინარე ტენდენციების შესაბამისად დასაბუთებულია აგრობიზნესის განვითარების აუცილებლობა, შეფასებულია აგრობიზნესის

გარემო და განხორციელებული აგრარული პოლიტიკის შედეგები. გამოვლენილია აგრობიზნესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები და ხელშეწყობი ეკონომიკური პოლიტიკის გამოყენებით შემოთავაზებულია მათი გადაჭრის შესაძლებლობები.
აგრობიზნესის საჭიროებების გამოსავლენად ჩატარებულია შჯ თ ანალიზი. შჯ თ-ანალიზისათვის საჭირო მსგავსი მიზნების შესაბამისად კვლევა ჩატარებულია 25 მცირე და საშუალო ზომის ფერმერულ მეურნეობაში. შესაბამისად გაერთიანებული სახით წარმოდგინილია აგრობიზნესის განვითარების ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები.

სტატიაში საქართველოში აგრობიზნესის განვითარების საჭიროებები შეფასებულია პრიორიტეტების მიხედვით: დაავადებების პრევენცია და მათი ზიანის შემცირება; დაბალი საპროცენტო განაკვეთის მქონე გრძელვადიან აგროკრედიტებზე ხელმისაწვდომობა; ფერმერთა კვალიფიკაციის, მათი განათლების დონის ამაღლება და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება; კანონმდებლობის ცვლილება; მაღალი ხარისხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობა; ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

კვლევის საფუძველზე შემოთავაზებულია საქართველოში აგრობიზნესის განვითარების სტრატეგიები და განსაზღვრულია შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები. გაკეთებულია დასკვნები, რომელთა საფუძველზე შემოთავაზებულია რეკომენდაციები.

2. (იხ. შესაბამისი სტატიის ანოტაცია - II. 2. სტატიები)

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	ფერმერული მეურნეობების დივერსიფიკაციის შესაძლებლობები- ევროკავშირის მოდელები და გამოწვევები საქართველოში	პროფესორი ე. ხარაიშვილი პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, მკვლევარი	მკვლევარები: ასოც. პროფესორები: მ. ნაცვალაძე მ. ჩავლეიშვილი ი. ნაცვლიშვილი ი. გაგნიძე. პროექტის ტექნიკური მენეჯერი ასისტენტ პროფესორი თ. ლაზარიაშვილი, სტუდენტები (ასისტენტები): ა. ლომოური ს. ექიზაშვილი რ. გურაშვილი	ადგილობრივი გრანტი

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები

კვლევა ორ ეტაპად წარიმართა. პირველ ეტაპზე მკვლევარებმა მოახდინეს მეორადი მონაცემების შეგროვება, დახარისხება და დამუშავება. ფერმერულ მეურნეობებთან დაკავშირებით შეგროვდა სტატისტიკური მონაცემები, პოლიტიკის დოკუმენტები, სამეცნიერო ნაშრომები, ანალიტიკური ანგარიშები და ა.შ.

დღეს მოქმედი ფერმერული მეურნეობებსა და ღვინის ქარხნებში ფაქტობრივი მდგომარეობის შესაფასებლად და ძირითადი გამოწვევების გამოსავლენად კვლევის მეორე ეტაპზე ჩატარდა თვისებრივი კვლევა, რისთვისაც წინასწარ მომზადდა როგორც საკვლევ საკითხთა ჩარჩო ჩამონათვალი, ასევე, ინტერვიუს ჩატარების სახელმძღვანელო.
გამოსაკვლევად შეირჩა მევენახეობა-მეღვინეობის დარგი, გეოგრაფიულ არეალად კი განისაზღვრა კახეთის რეგიონი. თავდაპირველი მონაცემთა ბაზა მოიცავდა 2166 ეკონომიკურ ერთეულს, საიდანაც სტრატიფიცირებული შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე ინტერვიუების ჩასატარებლად განისაზღვრა სამი ჯგუფი: ა/ ფერმერები, რომლებიც მხოლოდ მევენახეობას მისდევენ; ბ/ მევენახეობა-მეღვინეობით დაკავებული მეწარმეები; გ/ მხოლოდ მეღვინეობის სფეროს წარმომადგენლები.
სტრატა ჯგუფების გეოგრაფიული განშლის შესაბამისად კვლევითი ჯგუფი მივლინებით გაემგზავრა კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში: საგარეჯოში, გურჯაანში, თელავში, ყვარელში, ახმეტაში. მივლინების პროცესში გამოიკვეთა პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიან დარგის გაფართოება-განვითარებას, რესტრუქტურიზაციას. მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი განხორციელდება დედუქციური მიდგომის გამოყენებით. მოხდა მონაცემების დაჯგუფება და მსგავსებების გამოვლენა, საერთო ტენდენციებისა და განსხვავებების იდენტიფიცირება. შედეგების შეჯამებით გამოვლინდა საქართველოში ფერმერულ მეურნეობათა დივერსიფიკაციის ხელშემშლელი ბარიერები, ევროკავშირის ქვეყნებში არსებული მოდელების გათვალისწინებით შემუშავდა შმუშავდა პერსპექტივაში დივერსიფიკაციის შესაძლებლობების რეკომენდაციები.
კვლევის შედეგებს აქვს როგორც სამეცნიერო, ასევე, პრაქტიკული გამოყენება, კერძოდ სახელმწიფო პოლიტიკის შემმუშავებელ და განმახორციელებელ სტრუქტურებს შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ მეცნიერულად არგუმენტირებული რეკომენდაციები ფერემერული მეურნეობების დივერსიფიკაციის შესაძლებლობების შესახებ. დარგის ექსპერტები და მეცნიერები მიიღებენ დამატებით ინფორმაციასა და თეორიებს ფერმერული მეურნეობების განვითარების ფორმაციისა და დივერსიფიკაციის კუთხით, კვლევის შედეგები, ასევე, დაეხმარება ადგილობრივი, რეგიონული და ცენტრალური მთავრობის წარმომადგენლებს ერთობლივი სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების დაგეგმვაში. სტუდენტები კვლევის მასალებს გამოიყენებენ სასწავლო კურსებში, ასევე, სამეცნიერო კონფერენციებისა და სამაგისტრო კვლევითი თემების დამუშავების დროს.
კვლევის საფუძველზე მომზადდა სამეცნიერო პუბლიკაციები და გამოქვეყნდა საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში, ასევე, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომათა კრებულებში.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გაგნიძე ინეზა	**„სამეწარმეო უნივერსიტეტი – განათლების, მეცნიერებისა და ბიზნესის ეფექტიანი პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი რგოლი“,** თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი	ISSN: 1987-5789 ტომი VIII №4	თბილისი, თსუ	

ანოტაცია

ნაშრომში გაანალიზებულია მსოფლიოში დღეისათვის უნივერსიტეტების ყველაზე ეფექტიანი მოდელის - სამეწარმეო უნივერსიტეტის ფორმირების და განვითარების ფაქტორები უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის 2008-2016 წწ ანგარიშებზე დაყრდნობით მოცემულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სისტემის შეფასება. ამ შეფასებათა მიხედვით განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა „უნივერსიტეტი-წარმოება“ თანამშრომლობის სფეროში. მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ნაშრომში შემოთავაზებულია განათლებისა და მეცნიერების განვითარებისადმი სისტემური მოდგომა საქართველოს რეგიონებში, კერძოდ სამცხე-ჯავახეთში სამეწარმეო უნივერსიტეტის ჩამოყალიბების გზით.

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის	ჟურნალის/ კრებულის	გამოცემის ადგილი,	გვერდების რაოდენობა

		დასახელება	ნომერი	გამომცემლობა	
1	Gagnidze Ineza	**Cluster as a tool for the challenges of development,** STRATEGICA, **International Academic Conference– Third Edition –**Local versus Global Bucharest, Romania, October 29-31, 2015.	მე-3 გამოცემა **ISSN: 2392-702X;** **ISBN: 978-606-749-054-1,**	Bucharest, Romania	9 გვერდი pp.336-344
ანოტაცია ნაშრომში მსოფლიოში აღიარებული მეცნიერების ნაშრომებზე დაყრდნობით, დასაბუტებულია, რომ კლასტერი არის ეკონომიკის განვითარების გამოწვევის დაძლევის ერთ-ერთი საშუალება. ის არის სისტემა, რომელიც ხელს უწყობს ინოვაციურ განვითარებას.					

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	გაგნიძე ინეზა	ეკონომიკის მდგრადი განვითარება მართლმადიდებლური სწავლების ასპექტით	ბათუმი, 5-6 სექტემბერი, 2015 წ.
2	გაგნიძე ინეზა	„ეკონომიკის თეორიის ზოგიერთი საკითხი მართლმადიდებლური სწავლების ასპექტით“ **„პოლიტეკონომიური საუბრები ლადო პაპავასთან“**	თბილისი, თსუ, 24 .11.2015
ანოტაციები 1. მოხსენება (საკონფერენციო მოხსენებების კრებულში დასტამბული ნაშრომი) ეხება ეკონომიკის მდგრად განვითარებას მართლმადიდებლური სწავლების ასპექტით. მოცემულია ეკონომიკის ძლიერი და სუსტი მდგრადობის მოდელები. ახსნილია ეკონომიკის ძლიერი მდგრადობის მისაღწევად მართლმადიდებლური სწავლების დადებითი გავლენა. 2. მოხსენებაში განხილული იყო ეკონომიკის პრინციპები, შიდასაფირმო ურთიერთობები, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის და მდგრადი განვითარების საკითხები მართლმადიდებლური სწავლების ასპექტით.			

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Gagnidze Ineza	**Membership of Cluster – one of the ways to business management improvement** 3th Business Systems Laboratory International Symposium, Advances in Business Management. Towards Systemic Approach.	Perugia, Italy, January 21-23, 2015,
2	Gagnidze Ineza	**Cluster as a tool for the challenges of development,** STRATEGICA, **International Academic Conference– Third Edition –**Local versus Global	Bucharest, Romania, October 29-31, 2015.
3.	Gagnidze Ineza	**The Role of International Educational and Science Programs for Sustainable Development,** Networkconference "Human and Environmental Resources in Multiethnic Societies", Ivane Javakhishvili University (TSU) *http://networkconference-giessen.tsu.ge/en/program*	Tbilisi, 5th - 7th November, 2015
1. ანოტაცია ნაშრომში მსოფლიოში აღიარებული მეცნიერების ნაშრომებზე დაყრდნობით, დასაბუთებულია, რომ კლასტერი არის ეკონომიკის განვითარების გამოწვევის დაძლევის ერთ-ერთი საშუალება. ის არის სისტემა, რომელიც ხელს უწყობს ინოვაციურ განვითარებას. 2. ანოტაცია ნაშრომში განხილულია საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროგრამების როლი ეკონომიკის მდგრადი განვითარებისთვის. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის 2008-2016 წწ. ანგარიშებზე დაყრდნობით შეფასებულია საქართველოს საგანმანათლებლო და სამეცნიერო სისტემები.			

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე

შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური

	მიმართულების მითითებით			გრანტი)
1	„ფერმერული მეურნეობების დივერსიფიკაციის შესაძლებლობები – ევროკავშირის მოდელები და გამოწვევები საქართველოში“ ეკონომიკის მიმართულება, მიკროეკონომიკა	პროფესორი ეთერ ხარაიშვილი	ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე	თსუ მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების კონკურსის ფარგლებში

ანოტაცია

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები

კვლევა ორ ეტაპად წარიმართა. პირველ ეტაპზე მკვლევარებმა მოახდინეს მეორადი მონაცემების შეგროვება, დახარისხება და დამუშავება. ფერმერულ მეურნეობებთან დაკავშირებით შეგროვდა სტატისტიკური მონაცემები, პოლიტიკის დოკუმენტები, სამეცნიერო ნაშრომები, ანალიტიკური ანგარიშები და ა.შ.

დღეს მოქმედი ფერმერული მეურნეობებსა და ღვინის ქარხნებში ფაქტობრივი მდგომარეობის შესაფასებლად და ძირითადი გამოწვევების გამოსავლენად კვლევის მეორე ეტაპზე ჩატარდა თვისებრივი კვლევა, რისთვისაც წინასწარ მომზადდა როგორც საკვლევ საკითხთა ჩარჩო ჩამონათვალი, ასევე, ინტერვიუს ჩატარების სახელმძღვანელო.

გამოსაკვლევად შეირჩა მევენახეობა-მეღვინეობის დარგი, გეოგრაფიულ არეალად კი განისაზღვრა კახეთის რეგიონი. თავდაპირველი მონაცემთა ბაზა მოიცავდა 2166 ეკონომიკურ ერთეულს, საიდანაც სტრატიფიცირებული შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე ინტერვიუების ჩასატარებლად განისაზღვრა სამი ჯგუფი: ა/ ფერმერები, რომლებიც მხოლოდ მევენახეობას მისდევენ; ბ/ მევენახეობა-მეღვინეობით დაკავებული მეწარმეები; გ/ მხოლოდ მეღვინეობის სფეროს წარმომადგენლები.

სტრატა ჯგუფების გეოგრაფიული განშლის შესაბამისად კვლევითი ჯგუფი მივლინებით გაემგზავრა კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში: საგარეჯოში, გურჯაანში, თელავში, ყვარელში, ახმეტაში. მივლინების პროცესში გამოიკვეთა პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიან დარგის გაფართოება-განვითარებას, რესტრუქტურიზაციას. მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი განხორციელდება დედუქციური მიდგომის გამოყენებით. მოხდა მონაცემების დაჯგუფება და მსგავსებების გამოვლენა, საერთო ტენდენციებისა და განსხვავებების იდენტიფიცირება. შედეგების შეჯამებით გამოვლინდა საქართველოში ფერმერულ მეურნეობათა დივერსიფიკაციის ხელშემშლელი ბარიერები, ევროკავშირის ქვეყნებში არსებული მოდელების გათვალისწინებით შემუშავდა შმუშავდა პერსპექტივაში დივერსიფიკაციის შესაძლებლობების რეკომენდაციები.

კვლევის შედეგებს აქვს როგორც სამეცნიერო, ასევე, პრაქტიკული გამოყენება, კერძოდ სახელმწიფო პოლიტიკის შემმუშავებელ და განმახორციელებელ სტრუქტურებს შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ მეცნიერულად არგუმენტირებული რეკომენდაციები ფერემერული მეურნეობების დივერსიფიკაციის შესაძლებლობების შესახებ. დარგის ექსპერტები და მეცნიერები მიიღებენ დამატებით ინფორმაციასა და თეორიებს ფერმერული მეურნეობების განვითარების ფორმაციისა და დივერსიფიკაციის კუთხით, კვლევის შედეგები, ასევე, დაეხმარება ადგილობრივი, რეგიონული და ცენტრალური მთავრობის წარმომადგენლებს ერთობლივი სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების დაგეგმვაში. სტუდენტები კვლევის მასალებს გამოიყენებენ სასწავლო კურსებში, ასევე, სამეცნიერო კონფერენციებისა და სამაგისტრო კვლევითი თემების დამუშავების დროს.

კვლევის საფუძველზე მომზადდა სამეცნიერო პუბლიკაციები და გამოქვეყნდა

საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში, ასევე, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომათა კრებულებში.

ასოცირებული პროფესორი მარინა ჩავლეიშვილი

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**ე. ხარაიშვილი მ. ჩავლეიშვილი ნ. დამენია ც. მიქატაძე**	**მენეჯერული ეკონომიკა (ლექციების კურსი)**	**გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი, 2015.**	**179**
ანოტაცია ლექციების კურსი შედგენილია მენეჯერულ ეკონომიკაში ადაპტირებული სახელმძღვანელოებისა და სილაბუსების საფუძველზე. კურსში წარმოდგენილია 11 თავი. ყოველი თავის დასაწყისში ჩამოყალიბებულია თემის შესწავლის მიზნები, ხოლო თავის ბოლოში მოცემულია ძირითადი ტერმინები და კითხვები განხილვისათვის. კურსს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია. კურსი განკუთვნილია ეკონომიკური პროფილის მაგისტრატურის სტუდენტებისათვის.				

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ-ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**E.Kharaishvili, G. Erkomaishvili, M. Chavleishvili**	**Problems Faced by the Agricultural Sector and Agribusiness Development Strategy in Georgia**	**World Academy of Science, engineering and Technology, International Conference on Business, Economics and Management**	**,Spain, Madrid, October 2015.**	**7**
2.	**. ჩჰავლეისჰვილი**	**Consumer Market for Georgian Hazelnut and the**	**World Academy of Science,**	**Italy, Roma, May 5-6, 2015.**	**10**

		Strategy to Improve its Competitiveness	**engineering and Technology, International Conference on Business, Economics and Management,**		

ანოტაციები

1. აგრარული სექტორის პრობლემები და აგრობიზნესის განვითარების სტრატეგია საქართველოში

სტატიაში დახასიათებულია საქართველოს სოფლის მეურნეობაში მიმდინარე ტენდენციები, გამოვლენილია აგრარულ სექტორში არსებული პრობლემები.

SWOT ანალიზის საფუძველზე შეფასებულია ქვეყანაში განხორციელებული აგრარული პოლიტიკის შედეგები, დასაბუთებულია აგრობიზნესის განვითარების აუცილებლობა და შემოთავაზებულია ამ სფეროს პრიორიტეტული განვითარების მიმართულებები. აგრობიზნესის კონკურენტული გარემოს ანალიზის შსაბამისად გამოვლენილია აგრობიზნესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები.

კვლევის საფუძველზე შემოთავაზებულია საქართველოს აგრარულ სექტორში არსებული პრობლემების მოგვარების გზები, განსაზღვრულია აგრობიზნესის განვითარების სტრატეგიები და გაკეთებულია დასკვნები, რომელთა საფუძველზე შემოთავაზებულია რეკომენდაციები.

2. სტატიაში წარმოდგენილია ქართული თხილის ბაზრის განვითარების ტენდენციები, შეფასებულია კონკურენტული უპირატესობები, რომლითაც საქართველო თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შეძლებს თხილის საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევას.

განხილულია საქართველოში თხილის კულტურის განვითარების ისტორია, ჯიშობრივი შემადგენლობა. თხილის მიწოდების ანალიზისათვის მოცემულია თხილის წარმოების ტენდენციები, შეფასებულია ექსპორტ-იმპორტის დინამიკა, ექსპერტებთან ინტერვიუებისა და პირველადი აღრიცხვის მასალების ანალიზის საფუძველზე შესწავლილი და გაანალიზებულია თხილის ადგილობრივი ბაზარი.

ქართული თხილის საერთაშორისო ბაზარზე ადგილის დასამკვიდრებლად გამოვლენილია ქართული თხილის პოტენციური უპირატესობები და ნაკლოვანებები, წარმოდგენილია თხილის საექსპორტო და საიმპორტო შესაძლებლობების ანალიზი.

ქართული თხილის ბაზრის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირებით გაკეთებულია დასკვნები, რომელთა საფუძველზე შემუშავებულია რეკომენდაციები.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	„ფერმერული მეურნეობების დივერსიფიკაციის შესაძლებლობები დევროკავშირის მოდელები და გამოწვევები	პროფესორი ეთერ ხარაიშვილი	ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი, მკვლევარი	თსუ მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების კონკურსის

	საქართველოში“ ეკონომიკის მიმართულება, მიკროეკონომიკა			ფარგლებში

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები

კვლევა ორ ეტაპად წარიმართა. პირველ ეტაპზე მკვლევარებმა მოახდინეს მეორადი მონაცემების შეგროვება, დახარისხება და დამუშავება. ფერმერულ მეურნეობებთან დაკავშირებით შეგროვდა სტატისტიკური მონაცემები, პოლიტიკის დოკუმენტები, სამეცნიერო ნაშრომები, ანალიტიკური ანგარიშები და ა.შ.

დღეს მოქმედი ფერმერული მეურნეობებსა და ღვინის ქარხნებში ფაქტობრივი მდგომარეობის შესაფასებლად და ძირითადი გამოწვევების გამოსავლენად კვლევის მეორე ეტაპზე ჩატარდა თვისებრივი კვლევა, რისთვისაც წინასწარ მომზადდა როგორც საკვლევ საკითხთა ჩარჩო ჩამონათვალი, ასევე, ინტერვიუს ჩატარების სახელმძღვანელო.

გამოსაკვლევად შეირჩა მევენახეობა-მეღვინეობის დარგი, გეოგრაფიულ არეალად კი განისაზღვრა კახეთის რეგიონი. თავდაპირველი მონაცემთა ბაზა მოიცავდა 2166 ეკონომიკურ ერთეულს, საიდანაც სტრატიფიცირებული შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე ინტერვიუების ჩასატარებლად განისაზღვრა სამი ჯგუფი: ა/ ფერმერები, რომლებიც მხოლოდ მევენახეობას მისდევენ; ბ/ მევენახეობა-მეღვინეობით დაკავებული მეწარმეები; გ/ მხოლოდ მეღვინეობის სფეროს წარმომადგენლები.

სტრატა ჯგუფების გეოგრაფიული განშლის შესაბამისად კვლევითი ჯგუფი მივლინებით გაემგზავრა კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში: საგარეჯოში, გურჯაანში, თელავში, ყვარელში, ახმეტაში. მივლინების პროცესში გამოიკვეთა პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიან დარგის გაფართოება-განვითარებას, რესტრუქტურიზაციას. მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი განხორციელდება დედუქციური მიდგომის გამოყენებით. მოხდა მონაცემების დაჯგუფება და მსგავსებების გამოვლენა, საერთო ტენდენციებისა და განსხვავებების იდენტიფიცირება. შედეგების შეჯამებით გამოვლინდა საქართველოში ფერმერულ მეურნეობათა დივერსიფიკაციის ხელშემშლელი ბარიერები, ევროკავშირის ქვეყნებში არსებული მოდელების გათვალისწინებით შემუშავდა შმუშავდა პერსპექტივაში დივერსიფიკაციის შესაძლებლობების რეკომენდაციები.

კვლევის შედეგებს აქვს როგორც სამეცნიერო, ასევე, პრაქტიკული გამოყენება, კერძოდ სახელმწიფო პოლიტიკის შემმუშავებელ და განმახორციელებელ სტრუქტურებს შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ მეცნიერულად არგუმენტირებული რეკომენდაციები ფერემერული მეურნეობების დივერსიფიკაციის შესაძლებლობების შესახებ. დარგის ექსპერტები და მეცნიერები მიიღებენ დამატებით ინფორმაციასა და თეორიებს ფერმერული მეურნეობების განვითარების ფორმაციისა და დივერსიფიკაციის კუთხით, კვლევის შედეგები, ასევე, დაეხმარება ადგილობრივი, რეგიონული და ცენტრალური მთავრობის წარმომადგენლებს ერთობლივი სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების დაგეგმვაში. სტუდენტები კვლევის მასალებს გამოიყენებენ სასწავლო კურსებში, ასევე, სამეცნიერო კონფერენციებისა და სამაგისტრო კვლევითი თემების დამუშავების დროს.

კვლევის საფუძველზე მომზადდა სამეცნიერო პუბლიკაციები და გამოქვეყნდა საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში, ასევე, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომათა კრებულებში.

ასოცირებული პროფესორი ია ნაცვლიშვილი

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Ia Natsvlishvili	Gender Inequalities in Employment: Evidence from Statistical Data in Georgia. 2nd International Multidisciplinary Scientific Conference on Social Sciences and Arts, SGEM 2015 (26.08-01.09; 2015. Albena, Bulgaria).	Conference Proceedings, Book 2, Vol. III. 2015	Bulgaria; STEF92 Technology LTD ISSN 2367-5659; ISBN 978-619-7105-48-3	pp. 325-332
2	Ia Natsvlishvili	Quality Assurance of Educational Programs in Business and Economics in Transitional Countries (Georgian Case)	International Journal of Business and Management Studies., 2015, Vol. 04, Number 01.,	USA **ISSN: 2158-1479**	pp. 158-191

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1. Gender Inequalities in Employment: Evidence from Statistical Data in Georgia

გენდერული უთანასწორობა დასაქმებაში: სტატისტიკური ფაქტები საქართველოდან ნაშრომში მიმოიხილავს ქართულ რეალობაში დასაქმებისას არსებულ გენდერული უთანასწორობას. იგი წარმოადგენს ამ პრობლემაზე არსებული რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ანალიზს. გამოიყენებულია ე.წ. კაბინეტური კვლევის მეთოდი მთავარი საკვლევი პრობლემის განსახილველად, თუ რა მასშტაბისაა დასაქმებისას გენდერული უთანასწორობა პოსტ-საბჭოთა საქართველოში. როგორც სტატისტიკური მონაცემები და ავტორიტეტულ მკვლევართა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები ადასტურებენ გენდერული უთანასწორობა დასაქმების, განათლებისა და შემოსავლების განაწილებისას კვლავ ჭარბობს საქართველოში.

2. Quality Assurance of Educational Programs in Business and Economics in Transitional Countries

ბიზნესისა და ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში (საქართველოს მაგალითი) სტატიაში განხილულია ბიზნესისა და ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამების

ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარების სტრატეგიების თავისებურებები ევროკავშირის მეზობელ გარდამავალ ქვეყნებში. იგი გვიჩვენებს ბოლონიის პროცესის გავლენის შედეგებს სასწავლო პროგრამების მენეჯმენტსა და სწავლების მეთოდოლოგიაზე ევროკავშირში და მეზობელ ქვეყნებში. დასკვნები ეფუძნება ორი კვლევითი პროექტის შედეგების ანალიზს. აღნიშნული კვლევითი პროექტები განხორციელდა ავტორის მიერ ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატებიდან სხვა მეცნიერებთან ერთად. ერთ-ერთი კვლევა ჩატარდა 2008-2009 წლებში ე.წ. თუნინგის პროექტის (საგანმანათლებლო სტრუქტურების ურთიერთშეთანხმება ევროპაში) ფარგლებში. მეორე კვლევა განხორციელდა 2010 წლის აპრილში ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტში ფონდის Interactivity Foundation (IF) სპეციალური პროექტით. ჩამოყალიბებულია ღირებული დასკვნები ევროპისა და მეზობელ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში უმაღლესი განათლების მართვის სტრატეგიებზე ბოლონიის პროცესის გავლენის შესახებ.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Ia Natsvlishvili	Exploring Gender Inequalities in Work and Employment: Evidence form Gender Statistics in Georgia	27th SASE Annual Meeting. London School of Economics. London, UK. 2-4 July 2015
2	Ia Natsvlishvili	Gender Inequality And Women's Entrepreneurship – Challenges And Opportunities (Case of Georgia)	17-th EBES Conference (October 15-17, 2015, Venice, Italy).

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

გენდერული უთანასწორობის ანალიზი დასაქმებაში: ფაქტები საქართველოს გენდერული სტატისტიკიდან

როგორც სტატისტიკური მონაცემები ადასტურებენ, საქართველოში მამაკაცების, როგორც საოჯახო მეურნეობების მეთაურების სტატუსი უცვლელია. ასეთი საოჯახო მეურნეობების რაოდენობა დაახლოებით ორჯერ უფრო მაღალია, ვიდრე საოჯახო მეურნეობებისა, სადაც მეთაური არის ქალი. 2012 წელს ქალთა შორის დასაქმებულთა რიცხვი შეადაგენდა 47.4 პროცენტს, მაშინ როცა მამაკაცებს შორის დასაქმებული იყო 52.6 პროცენტი. 2012 წელს დასაქმებულ ქალთა საშუალო თვიური შემოსავალი უფრო დაბალი იყო ეკონომიკის ყველა სექტორში, ვიდრე დასაქმებული მამაკაცების საშუალო თვიური შემოსავალი. ფაქტები საქართველოს გენდერული სტატისტიკიდან მოწმობს, რომ საზოგადოების ყველა ჯგუფისთვის თანაბარი ხელმისაწვდომობა დასაქმებასა და შემოსავლების განაწილებაში მხოლოდ დეკლარაციული ხასიათისაა.

1. Gender Inequality And Women's Entrepreneurship – Challenges And Opportunities (Case of Georgia)

გენდერული უთანასწორობა და ქალთა მეწარმეობა - შესაძლებლობები და გამოწვევები

პოსტ-საბჭოთა ქვეყნების რეალობა (და არა მხოლოდ მათი) გვიჩვენებს, რომ საზოგადოების ყველა ჯგუფისთვის თანაბარი ხელმისაწვდომობა დასაქმებასა და სამეწარმეო შესაძლებლობებში მხოლოდ დეკლარაციული ხასიათისაა. იმისათვის, რომ შემცირდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში დისკრიმინაციული სხვაობა მამაკაცებსა და ქალებს შორის ეფექტური მექანიზმებია საჭირო. ქვოტირება არის ერთ-ერთი ასეთი მექანიზმი. ქალთა მეწარმეობაზე გავლენას ახდენს საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები, რადგან მეწარმეობა დიდწილად არის გარემოს, პროდუქტი ვიდრე თანდაყოლილი უნარი. მოხსენებაში განხილულია საქართველოში გენდერული უთანასწორობა დასაქმების შესაძლებლობებსა და მეწარმეობაში. იგი წარმოადგენს გენდერული უთანასწორობის შესახებ არსებული რაოდენობრივი და თვისებრივი გამოკვლევების ანალიზს. გამოყენებულია ე.წ. კაბინეტური კვლევის მეთოდი კვლევის მთავარი პრობლემის გასაანალიზებლად, თუ რა მასშტაბისაა გენდერული უთანასწორობა მეწარმეობასა და დასაქმებაში პოსტ-საბჭოთა საქართველოში. როგორც სტატისტიკური მონაცემები, ასევე, მკვლევართა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები ადასტურებენ, გენდერული უთანასწორობა დასაქმებასა, განათლებასა და შემოსავლების განაწილებისას კვლავ ჭარბობს საქართველოში.

ასისტენტ პროფესორი თამარ ლაზარიაშვილი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	„ფერმერული მეურნეობების დივერსიფიკაციის შესაძლებლობები - ევროკავშირის მოდელები და გამოწვევები საქართველოში“ ეკონომიკის მიმართულება, მიკროეკონომიკა	პროფესორი **ეთერ ხარაიშვილი**	ტექნიკური მენეჯერი **თამარ ლაზარიაშვილი**	თსუ მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების კონკურსის ფარგლებში

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები

კვლევა ორ ეტაპად წარიმართა. პირველ ეტაპზე მკვლევარებმა მოახდინეს მეორადი მონაცემების შეგროვება, დახარისხება და დამუშავება. ფერმერულ მეურნეობებთან დაკავშირებით შეგროვდა სტატისტიკური მონაცემები, პოლიტიკის დოკუმენტები,

სამეცნიერო ნაშრომები, ანალიტიკური ანგარიშები და ა.შ.
დღეს მოქმედი ფერმერული მეურნეობებსა და ღვინის ქარხნებში ფაქტობრივი მდგომარეობის შესაფასებლად და ძირითადი გამოწვევების გამოსავლენად კვლევის მეორე ეტაპზე ჩატარდა თვისებრივი კვლევა, რისთვისაც წინასწარ მომზადდა როგორც საკვლევ საკითხთა ჩარჩო ჩამონათვალი, ასევე, ინტერვიუს ჩატარების სახელმძღვანელო.
გამოსაკვლევად შეირჩა მევენახეობა-მეღვინეობის დარგი, გეოგრაფიულ არეალად კი განისაზღვრა კახეთის რეგიონი. თავდაპირველი მონაცემთა ბაზა მოიცავდა 2166 ეკონომიკურ ერთეულს, საიდანაც სტრატიფიცირებული შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე ინტერვიუების ჩასატარებლად განისაზღვრა სამი ჯგუფი: ა/ ფერმერები, რომლებიც მხოლოდ მევენახეობას მისდევენ; ბ/ მევენახეობა-მეღვინეობით დაკავებული მეწარმეები; გ/ მხოლოდ მეღვინეობის სფეროს წარმომადგენლები.
სტრატა ჯგუფების გეოგრაფიული განშლის შესაბამისად კვლევითი ჯგუფი მივლინებით გაემგზავრა კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში: საგარეჯოში, გურჯაანში, თელავში, ყვარელში, ახმეტაში. მივლინების პროცესში გამოიკვეთა პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიან დარგის გაფართოება-განვითარებას, რესტრუქტურიზაციას. მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი განხორციელდება დედუქციური მიდგომის გამოყენებით. მოხდა მონაცემების დაჯგუფება და მსგავსებების გამოვლენა, საერთო ტენდენციებისა და განსხვავებების იდენტიფიცირება. შედეგების შეჯამებით გამოვლინდა საქართველოში ფერმერულ მეურნეობათა დივერსიფიკაციის ხელშემშლელი ბარიერები, ევროკავშირის ქვეყნებში არსებული მოდელების გათვალისწინებით შემუშავდა შმუშავდა პერსპექტივაში დივერსიფიკაციის შესაძლებლობების რეკომენდაციები.
კვლევის შედეგებს აქვს როგორც სამეცნიერო, ასევე, პრაქტიკული გამოყენება, კერძოდ სახელმწიფო პოლიტიკის შემმუშავებელ და განმახორციელებელ სტრუქტურებს შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ მეცნიერულად არგუმენტირებული რეკომენდაციები ფერემერული მეურნეობების დივერსიფიკაციის შესაძლებლობების შესახებ. დარგის ექსპერტები და მეცნიერები მიიღებენ დამატებით ინფორმაციასა და თეორიებს ფერმერული მეურნეობების განვითარების ფორმაციისა და დივერსიფიკაციის კუთხით, კვლევის შედეგები, ასევე, დაეხმარება ადგილობრივი, რეგიონული და ცენტრალური მთავრობის წარმომადგენლებს ერთობლივი სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების დაგეგმვაში. სტუდენტები კვლევის მასალებს გამოიყენებენ სასწავლო კურსებში, ასევე, სამეცნიერო კონფერენციებისა და სამაგისტრო კვლევითი თემების დამუშავების დროს.

კვლევის საფუძველზე მომზადდა სამეცნიერო პუბლიკაციები და გამოქვეყნდა საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში, ასევე, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომათა კრებულებში.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	თამარ ლაზარიაშვილი	აგრობიზნესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები და მათი დაძლევის გზები საქართველოში.	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის

2. 3.	თამარ ლაზარიაშვილი თამარ ლაზარიაშვილი	აგრარული წარმოების რესურსული პოტენციალი და მწარმოებლურობის ზრდის გზები საქართველოში. ბიოპროდუქტების ბაზრის განვითარების ტენდენციები საქართველოში	სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, 10-11 ივლისი, თბილისი, 2015. სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი 5-6 ივნისი, ახალციხე, 2015 თბილისის უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია, 25.06.2015

მოხსენებათა ანოტაციები

1. სტატიაში გაანალიზებულია აგრობიზნესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები და მოცემულია მათი დაძლევის გზები. შემოთავაზებულია აგრობიზნესის განვითარებისათვის აუცილებელი ღონისძიებები: ქვეყანაში აგროდაზღვევის სისტემის სწრაფი განვითარება ფერმერებისათვის დაბალპროცენტიან და გრძელვადიან კრედიტებზე ხელმისაწვდომობა კოოპერატივებისა და სასოფლო-სამეურნეო ასოციაციების ხელშეწყობა; სოფლების მცირე და საშუალო ზომის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომარაგების უზრუნველყოფა, მანქანა ტრაქტორების ცენტრების შექმნა და ლიზინგის განხორციელება; ფერმერებისათვის საკონსულტაციო მომსახურების ცენტრების გაფართოება მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნებული წარმოებით.

2. სტატიაში გაანალიზებულია საქართველოს სოფლის მეურნეობაში არსებული რესურსული პოტენციალი. შესწავლილია მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგებში წარმოების პარამეტრები, გაკეთებულია დასკვნა მწარმოებლურობის დაბალი დონის შესახებ. აგროსასურსათო სექტორში წარმოების მასშტაბების ზრდის , არსებული თეორიული კონცეფციებისა და სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე შემოთავაზებულია აგროსასურსათო სექტორში მწარმოებლურობის ზრდის მიმართულებები.

3. სტატიაში გადმოცემულია ბიოწარმოების განვითარების ისტორია, შეფასებულია მისი უპირატესობები, ბაზარზე, ნაჩვენებია ბაზრის განვითარების პრობლემები, და მისი დაძლევის შესაძლებლობები. დასაბუთებულია ბიოპროდუქტების ბაზრის განვითარების აუცილებლობა. საქართველოს გააჩნია უდიდესი პოტენციალი , რომ შეიძინოს სტრატეგიული მნიშვნელობა და გახდეს მსოფლიოში ერთ–ერთი უდიდესი ბიოპროდუქტების მწარმოებელი ქვეყანა.

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება –

მაკროეკონომიკის კათედრა, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი –

კათედრის ხელმძღვანელი - პროფესორი ნოდარ ხადური

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა –

პროფესორი ნოდარ ხადური
პროფესორი მირიან ტუხაშვილი
ასოცირებული პროფესორი ნაზირა კაკულია
ასოცირებული პროფესორი მალხაზ ჩიქობავა
ასოცირებული პროფესორი მურმან ცარციძე
ასისტენტ პროფესორი მანანა ლობჟანიძე
ასისტენტ პროფესორი მარინა ტაბატაძე

პროფესორი ნოდარ ხადური

* სახელმწიფო გრანტით დაფინანსებული

სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	David N. Weil, Economic Grouwth, Therd edtion (თარგმნა ქართულ ენაზე) დასრულდა 2015 წლის მაისში	აშშ-ის საელჩო საქართველოში ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანადაფინანსებით	**პროფესორი ნოდარ ხადური**	**პროფესორი ნოდარ ხადური (რედაქტორი)** ასოც. პროფ. მალხაზ ჩიქობავა (მთარგმნელი) ასოც. პროფ. ნაზირა კაკულია (მთარგმნელი) ასისტ. პროფესორი მანანა ლობჟანიძე (კორექტორი)

დასრულებული პროექტის ანოტაცია

ჩვენ ვცხოვრობთ მდიდრებისა და ღარიბების სამყაროში. დედამიწაზე მცხოვრები 7 მილიარდი ადამიანი ფართო ეკონომიკური სპექტრის პირობებში არსებობს. განვითარებად ქვეყნებში, სადაც 925 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, არასაკმარისი რაოდენობითაა საკვები, 884 მილიონი ადამიანისათვის ხელმიუწვდომელია უსაფრთხო სასმელი წყალი, ხოლო 2,5 მილიარდს საერთოდ არ გააჩნია სანიტარული პირობები. ყოველდღიურად დაახლოებით 5 წლამდე ასაკის 5000 ბავშვი იღუპება დაავადებისაგან, რაც გამოწვეულია დაბინძურებული წყლით. მეორე უკიდურესობა ისაა, რომ ინდუსტრიულ ქვეყნებში არსებულმა ავადმყოფობამ, რომელიც გამოწვეულია საკვების ჭარბად მიღებით, შეცვალა საკვების სიმცირით გამოწვეული ჯანდაცვის ძირითადი პრობლემა. ცხოვრების

მოსალოდნელი ხანგრძლივობა 76 წელია იმ 2,1 მილიარდი ადამიანისათვის, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) კლასიფიკაციით ცხოვრობენ მაღალი ადამიანური განვითარების მქონე ქვეყნებში, 69 წელი 3,6 მლრდ ადამიანისათვის, რომლებიც ცხოვრობენ საშუალო ადამიანური განვითარების მქონე ქვეყნებში და 56 წელი 1,1 მილიარდი ადამიანისათვის – დაბალი ადამიანური განვითარების მქონე ქვეყნებში.

მაშინაც კი, როცა ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებს მიღმა ვიხედებით, ადამიანების ცხოვრების დონეებში განსხვავებები შემაშფოთებელია. 2008 წლისათვის ავსტრალიაში ყოველ 1000 კაცზე მოდიოდა 687 მსუბუქი ავტომობილი. ბანგლადეშისათვის შესაბამისი მაჩვენებელი იყო ყველ 1000 კაცზე2 ავტომობილი. საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკაში, სადაც მსოფლიო მოსახლეობის 11 პროცენტია თავმოყრილი, 2003 წლისათვის ელექტროენერგიის მოხმარებამ მსოფლიო მაჩვენებლის მხოლოდ 2,3 პროცენტი შეადგინა. აშშ-ში ანალოგიური მაჩვენებელი შეადგენდა 26%-ს, სადაც მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 4,6% ცხოვრობს. მსოფლიოს მეხუთედი ნაწილი, რომელიც ცხოვრობს უმდიდრეს ქვეყნებში, მსოფლიო შემოსავლის 60 პროცენტს ღებულობს. მსოფლიო ბანკის შეფასებით 1,1 მილიარდ ადამიანს თავი გააქვს დღეში 1 დოლარზე ნაკლები შემოსავლით და 2,6 მილიარდ ადამიანს - დღეში 2 დოლარზე ნაკლები შემოსავლით.

ქვეყნებს შორის აღნიშნული განსხვავება იდუმალებითაა მოცული. რატომაა ზოგიერთი ქვეყანა ასე მდიდარი და ზოგიერთი ასე ღარიბი? უნდა იყოს თუ არა ეს ასე? არსებობს თუ არა ფაქტორები, რომლებიც შეგვიძლია მივუთითოდ (ან იქნებ შევცვალოთ), რომლებსაც მივყავართ ასეთ უზარმაზარ განსხვავებასთან? გარკვეულწილად დამოკიდებულია თუ არამდიდრის კმაყოფილება ღარიბის გაჭიანურებულ ტანჯვაზე?

როდესაც ვაკვირდებითქვეყნებისგანვიტარებას დროთა განმავლობაში, საიდუმლოების მეორე ჯგუფი წარმოიქმნება. მდიდარი ქვეყნების მათ საკუთარ ისტორიასთან შედარებით ცხოვრების დონეებში კიდევ ერთხელ უზარმაზარ სხვაობას ვნახავთ. 1880 წელს დაბადებული იაპონელი ბავშვის სიცოცხლის ხანგრძლივობა 35 წელი იყო; დღეისათვის იაპონიაში სიცოცხლის ხანგრძლივობა 83 წელია. დიდ ბრიტანეთში მამაკაცების საშუალო სიმაღლემ 9,1 სანტიმეტრით (3,6 ინჩით) მოიმატა 1775-1975 წლებში უკეთესად კვების შედეგად. 1985 წელს აშშ-ში მუშაკს საშუალო ხელფასით უნდა ემუშავა 333 საათი, რომ ეყიდა მაცივარი; დღეს მუშაკს ამ დროის ერთი მეხუთედით შეუძლია გამოიმუშაოს იმდენი, რაც უკეთესი პროდუქტის საყიდლადაა საჭირო. მე-19 საუკუნის ბოლოდან მოყოლებული, ამერიკელების მიერ რეკრეაციაზე დახარჯული შემოსავლის ნაწილი გასამმაგდა მაშინ, როცა სურსათზე დანახარჯების წილი ორი-მესამედით შემცირდა.

მატერიალური კეთილდღეობის აღნიშნული ზრდა თანდაყოლილი იყო ადამიანების მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობის მკვეთრი შემცირებით. 1870 წელსაშშ-ში სამუშაო კვირის საშუალო ხანგრძლივობა 61 საათს შეადგენდა და სიბერეში პენსიაზე გასვლის კონცეფცია პრაქტიკულად არ არსებობდა. დღეისათვის სამუშაო კვირის საშუალო ხანგრძლივობა 34 საათია და ტიპურ მუშაკს შეუძლია პენსიაზე ყოფნა რამდენიმე ათეული წელი.

ის ქვეყნებიც კი, რომლებიც დღეს შედარებით ღარიბია, სარგებლობენ ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც ბოლო 100 წლამდე უპრეცენდენტო იყო ნებისმიერ ადგილას. ეგვიპტეს, ინდონეზიასა და ბრაზილიას, მიმდინარე პერიოდში უფრო მაღალი სიცოცხლის ხანგრძლივობა ახასიათებთ, ვიდრე ამას უზრუნველყოფდა ბრიტანული თავადაზნაურობის წევრობა მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის. კაცობრიობის ისტორიის უდიდესი ნაწილისათვის ისეთი მარტივი რამ, როგორიცაა მაგიდის ნათურა, ფუფუნების საგანს წარმოადგენდა, რომელიც მხოლოდ ძალიან მდიდრებს გააჩნდათ. დღეისათვის, მსოფლიო მოსახლეობის 79%-ს ხელი მიუწვდება იმაზე, რომ შინ ჰქონდესელექტროენერგია. მსოფლიო

მოსახლეობის ის ნაწილი, რომელთა შემოსავალი დღეში ერთ დოლარზე ნაკლები იყო, 1981-2002 წლებში განახევრდა. მარტო ჩინეთში, დღეში ერთ დოლარზე ნაკლები შემოსავლის მქონე ადამიანთა რაოდენობა 200 მილიონით შემცირდა ამავე პერიოდის განმავლობაში.

მსოფლიოს უმრავლესობისათვის ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში შეიმჩნევა ცხოვრების სტანდარტის უპრეცედენტო ზრდა. მდიდარ ქვეყნებში აღნიშნული ზრდა საუკუნეზე მეტია გრძელდება, რომელმაც შექმნა შთაბეჭდილება იმისა, რომ ეკონომიკური პირობები სულ უფრო და უფრო გაუმჯობესდება. მაგრამ, რა არის ამ ზრდის წყარო?

როდესაც ვადარებთ ქვეყნების ცხოვრების დონის ზრდას, მეტი კითხვა ჩნდება. ზოგიერთი ქვეყნები ძირითადად პარალელური მიმართულებით იზრდებოდა. მაგალითად, ბრიტანეთსა და საფრანგეთს საუკუნეების განმავლობაში დაახლოებით მსგავსი ცხოვრების დონე ჰქონდათ. ზოგიერთმა ქვეყანამ, როგორიცაა არგენტინა - რომელიც მსოფლიოში უმდიდრესი ქვეყანა იყო მე-20 საუკუნის დასაწყისში -ვერ შეძლო თავი დაეღწია სიღარიბისაგან. სხვამ, როგორიცაა იაპონია, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ძალიან ღარიბი იყო მსფოლიოს ლიდერებთან შედარებით, განიცადა ზრდისმკვეთრი აფეთქება და დაეწია ლიდერებს. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, გასაოცარი ზრდის ეს აფეთქება სულ უფრო და უფრო არსებითი გახდა ისეთი ქვეყნებისათვის, როგორიცაა სამხრეთ კორეა, რომელმაც განახორციელა სიღატაკიდან ინდუსტრიულ სახელმწიფოდ ტრანსფორმაცია ერთ თაობაში. მიუხედავად ამისა, სხვა ქვეყნებს დღემდე იმუნიტეტი აღმოაჩნდათ ზრდის ვირუსის მიმართ და აგრძელებენ უიმედოდ ცხოვრებას სიღარიბეში. მაგალითად, საშუალო აფრიკული ოჯახი 1998 წელს მოიხმარდა 20%-ით ნაკლებს, ვიდრე 25 წლით ადრე. ქვეყნებს შორის განსხვავების რომელმა სახემ მიგვიყვანა დივერგენციისამ ფაქტამდე?

ზრდაზე აღნიშნული დაკვირვებით ისმის საბოლოო კითხვაა: სანამდე მივყავართ ყოველივე ამას? მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყნები გააგრძელებენ ზრდას ისე, რომ როცა ჩვენი შვილიშვილები წარსულისკენ გაიხედავენ, გაოცდებიან იმ პრიმიტიული პირობებით, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ? ღარიბი ქვეყნები კიდევ უფრო დაშორდებიან მდიდარ ქვეყნებს თუ მათ შორის დაშორება აღმოიფხვრება? ზოგიერთი ექსპერტი ბუნებრივი რესურსების შემცირების პირობებში ამტკიცებს, რომ თვით მდიდარი ქვეყნებიც კი იძულებული იქნებიან შეამცირონ საკუთარი მოხმარება. რესურსების შეზღუდულობა შეუძლებელს გახდის თუ არა მსოფლიოს ოთხი-მეხუთედი მოსახლეობისათვის რომლებიც სიღარიბეში ცხოვრობენ, დაეწიონ განვითარებულ ქვეყნებს? მისცემს თუ არა ახალი ტექნოლოგიები ადამიანთა რასას იმის საშუალებას, რომ წარსულს ჩაბარდეს უკმარისობის მდგომარეობა, რომელიც პრევალირებდა თითქმის მთელი მისი ისტორიის მანძილზე?

მოცემულ წიგნში არის ცდა იმისა, პასუხი გაეცეს კითხვებს, თუ რატომ განსხვავდება ქვეყნები ერთმანეთისაგან ცხოვრების დონით და რატომ მდიდრდება ან არ მდიდრდება ქვეყანა დროთა განმავლობაში. ამ თავის დარჩენილ ნაწილში უფრო დაწვრილებითააწარმოდგენილი ფაქტორთა კონტექსტი ასახსნელად. თავდაპირველად განვიხილავთ ქვეყნებს შორის განსხვავებას შემოსავლების დონეებში და შემდგომ გამოვიკვლევთ შემოსავლების ზრდის ტემპებში ეროვნულ განსხვავებებს. როგორც შემდეგ ვნახავთ, ამ ორ მაჩვენებელს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს: ქვეყნები, რომლებიც მდიდრები არიან დღეს, ის ქვეყნებია, რომლებიც სწრაფად იზრდებოდნენ წარსულში დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

№	პროექტის დასა-ხელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

1	M. Todaro, W. Smith, Economic Development 12th ed. (თარგმნა ქართულ ენაზე) (დაიწყო 2015 წლის სექტემბერში, სრულდება 2016 წლის სექტემბერში)	აშშ-ის საელჩო საქართველოში ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანადაფინანსებით	**პროფესორი ნოდარ ხადური**	**პროფესორი ნოდარ ხადური (რედაქტორი)** ასოც. პროფ. მალხაზ ჩიქობავა (მთარგმნელი) ასოც. პროფ. ნაზირა კაკულია (მთარგმნელი) ასისტ. პროფესორი მანანა ლობჟანიძე (კორექტორი)

დასრულებული პროექტის ანოტაცია

განვითარებადი ქვეყნების ორი სურათი ერთმანეთს ეჯიბრება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში საზოგადოებრივი ყურადღების მისაპყრობად. პირველი წარმოადგენს ტაჯვა-წამებას ისეთ ადგილებში, როგორიცაა აფრიკის სასოფლო რაიონები და ანტისანიტარია და გადატვირთული ურბანული ღარიბი რაიონები სამხრეთ აზიაში. მეორეა ექსტრაორდინალური დინამიზმი იმ ადგილებში, როგორიცაა ზღვისპირა ჩინეთი. ორივე სურათი გადმოგვცემს განვითარების დიდი დრამის მნიშვნელოვან ნაწილს. ცხოვრების პირობები უმჯობესდება დედამიწის უმრავლეს, თუმცა არა ყველა ნაწილში - ზოგჯერ ის ვითარდება ნელა და არათანაბარზომიერად. კუმულატიური ეფექტი მდგომარეობს იმაში, რომ ეკონომიკურმა განვითარებამ ბიძგი მისცა უპრეცედენტო გლობალურ ტრანსფორმაციას.

განვიხილოთ მსოფლიო 1992 წლისათვის, დროისათვის, როცა გარდვევა მდიდარ განვითარებულ ქვეყნებსა და შემოსავლების დაბალი დონის მქონე განვითარებად ქვეყნებს შორის, როგორც ჩანს, გაფართოვდა. მდიდარი ქვეყნები უფრო სწრაფად იზრდებოდნენ, ვიდრე ღარიბი ქვეყნები; და გლობალური თვალსაზრისით მაღალშემოსავლიანი ინდუსტრიული ქვეყნების ბატონობა აშკარად გამოკვეთილი იყო. აშშ-ს ახალი მოგებული ჰქონდა ცივი ომი საბჭოთა კავშირთან, რომელიც 1991 წლის ბოლოს დაიშალა. ცივი ომის დასასრულმა ასევე იხილა აღმავალი ევროკავშირი ევროპა-92-ის ერთიანი ბაზრის მიმზიდველი პროექტის მიმართ სრული ნდობით. უძრავი ქონებისა და საფონდო ბაზარზე საპნის ბუშტი ეს-ეს იყო იწყებდა გაბერვას, მაგრამ არავინ პროგნოზირებდა გაჭიანურებულ სტაგნაციას, რომელიც მოჰყვა იაპონიის ხანგრძლივი მაღალი ეკონომიკური ზრდის პერიოდს.

დოლარის დეფოლტის რისკის საშიშროებას და ართულებს აშშ-ის სახელმწიფო სესხის ობლიგაციების რეალიზაციას. ცხადია, ასეთ შემთხვევაში, საპროცენტო პარიტეტის დამოკიდებულებიდან გამომდინარე, თუ იარსებებს მოლოდინი იმისა, რომ აშშ-ის დოლარი გამყარდება სხვა ვალუტებთან მიმართებაში და ეს ტენდენცია შენარჩუნდება გრძელვადიანი პერიოდისათვის, მაშინ აშშ თავისუფლად შეძლებს საკუთარი ჭარბი მოთხოვნის სავალო დაფინანსებას. 2014 წლის ბოლოდან დღემდე სახეზეა აშშ დოლარის საერთაშორისო კურსის ზრდა, თუმცა, ამის მიზეზი ნამდვილად არ ყოფილა ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ მკაცრ მონეტარულ პოლიტიკაზე გადასვლა.როგორც აღვნიშნეთ, აშშ-ში 2009 წლიდან საბაზისო საპროცენტო განაკვეთები ისტორიულად უპრეცედენტო დაბალ, პრაქტიკულად ნულოვან დონეზე ნარჩუნდება. მაშ, რას უნდა გამოეწვია დოლარის გაძვირება? როგორც აღვნიშნეთ, აშშ-ის ასტრონომიულად დიდი და მზარდი ეროვნული ვალის დასაფინანსებლად საჭიროა ამერიკული ობლიგაციების დიდი ოდენობით ემისია, ხოლო ამ ემისიას საფრთხე რომ არ შეექმნას, საპროცენტო პარიტეტის დამოკიდებულებიდან გამომდინარე, უნდა არსებობდეს დოლარის გაძვირების მოლოდინი გრძელვადიანი პერიოდისათვის. საქმე ისაა, რომ დოლარი კი არ გაძვირდა მსოფლიოს სხვა ვალუტებთან მიმართებაში, არამედ ეროვნული ვალუტები გაუფასურდა დოლართან მიმართებაში, რაც აშშ-ის ინტერესებშია. ეროვნული ვალუტების გაუფასურება კი ძირითადად გამოწვეულია შესაბამისი ქვეყნებიდან მსხვილი ბანკების მიერ მიზანმიმართულად საერთაშორისო სარეზერვო ვალუტის მასშტაბური გატანით.

ავტორისეული დასკვნით, გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი, რომელიც გამოწვეულია აშშ-ში ჭარბი მოთხოვნის სტიმულირებით, თავის მხრივ, საჭიროებს დანარჩენი მსოფლიოდან რესურსების გადაქაჩვას აშშ-ში, ხოლო ეს უკანასკნელი ხორციელდება ეროვნული ვალუტების დოლარის მიმართ ხელოვნური გაუფასურებით.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მ. ჩიქობავა	ეკონომიკის სისტემური კრიზისის მიზეზების შესახებ სამეცნიერო კონფრენცია „ქრისიტანობა და ეკონომიკა“	სამეცნიერო კონფრენციის „ქრისიტანობა და ეკონომიკა“ მასალები, თბილისი 2015	თსუ გამომცემლობა	10

ეკონომიკის სისტემური კრიზისის მიზეზების შესახებ

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია, რომ ფული არა მარტო საქონლისა და მომსახურების გაცვლას ემსახურება, არამედ მას შეუძლია მისი დამუხრუჭებაც, თუ ფული უგროვდება მათ, რომელთაც ის საჭიროზე მეტი აქვთ და მიმოქცევაში არ ხვდება. ამგვარად, იქმნება თავისებური კერძო „საბაჟო პუნქტი“, სადაც მათ, რომელთაც საჭიროზე ნაკლები ფული აქვთ, უწევთ გადაუხადონ ერთგვარი „ბაჟი“ იმათ, რომელთაც საჭიროზე მეტი ფული გააჩნიათ. საბოლოოდ, ყოველივე ეს განაპირობებს ფულის სულ უფრო და უფრო კონცეტრირებას საზოგადოების მცირედი ჯგუფის ხელში დანარჩენების ხარჯზე, რაც უსამართლოა.

იმისათვის, რათა ნათელი მოვფინოთ ამას, აუცილებელია ფულთან დაკავშირებული ცდომილებების გაანალიზება, რომელიც, ჩვენი აზრით, წარმოადგენს ძირითად დაბრკოლე-

ბას გავიგოთ თანამედროვე ფულადი სისტემის კონსტრუქციის ნაკლი. ამ უკანასკნელის აღმოსაფხვრელად საჭიროა არსებული ფულადი სისტემის შეცვლა ალტერნატიული სისტემით.

ნაშრომში გაანალიზებულია ნულოვანი ინფლაციის პერმანენტული მიღწევის შეუძლებლობა თანამედროვე მონეტარული სისტემის პირობებში. ავტორის აზრით, ასეთი შედეგის მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ფულის გარკვეული რაოდენობა არ მონაწილეობს ტრანსაქციებში და ემსახურება სესხზე პროცენტების, ანუ ნომინალური საპროცენტო განაკვეთის გადახდას.

შედეგად, პროცენტების პერმანენტულად გადახდის საჭიროება იწვევს ფულის სულ უფრო მზარდი მასის კონცენტრაციას ფულის მიმოქცევაში, რომელიც არ მონაწილეობს ეკონომიკურ გარიგებებში და, შესაბამისად, დამატებული ღირებულების შექმნაში. ზემოთქმულზე დაყრდნობით, ეკონომიკაში დაუსაქონლებელი დამატებითი ფულის კონცენტრაცია იწვევს ინფლაციას.

ავტორის აზრით, სწორედ ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ სინამდვილეში შეუძლებელია ნულოვანი ინფლაციის მიღწევა, რაც გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკურ კრიზისებს იწვევს.

ასოცირებული პროფესორი მურმან ცარციძე

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მ. ცარციძე	ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები საქართველოში	ტომი 12, თბილისი 2015.გვ.266-292.	საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომების კრებული,	26

ანოტაცია

თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში ეკონომიკური ზრდა და განვითარება მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს. საქართველოში, შეზღუდული საწარმოო რესურსების, მოსახლეობის არსებული რიცხოვნობისა და მათი მოთხოვნილებების ზრდის პირობებში, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უმთავრესი პრიორიტეტების განსაზღვრა და პრაქტიკული რეალიზაცია უპირველეს ამოცანას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, ეკონომიკური განვითარების პრობლემების კვლევა ყოველთვის იყო მეცნიერ მკვლევართა ყურადღების ცენტრში. ამ მხრივ მრავალი მიდგომა, მიმართულებაა შემუშავებული, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ცვალებადია მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების ფონზე და განსაკუთრებით სპეციფიური გახდა თანამედროვე ფინანსური და ეკონომიკური

კრიზისის პირობებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამეცნიერო სტატიაში განხილულია და გაანალიზებულია საქართველოს ეკონომიკის ფუნქციონირებასა და განვითარებაზე მოქმედი ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორები როგორიცაა: ეკონომიკური ზრდისა და განვითარების ტემპები; სიღარიბის დონე და მასშტაბები; ქვეყნის მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის, უმუშევრობისა და დასაქმების მდგომარეობა; შრომის ანაზღაურების ორგანიზაციისა და საერთოდ შემოსავლების დიფერენციაციის პრობლემები; შრომის მწარმოებლურობის ამაღლების პრობლემები და მისი გავლენა ეროვნული ეკონომიკის წამყვანი დარგების ეფექტიანობაზე; ადამიანური კაპიტალის განვითარების, პროფესიული განათლების სისტემის მდგომარეობისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით პროფესიონალი კადრებით უზრუნველყოფის პრობლემები.

საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მიგრაციული პროცესები. ამიტომ, ნაშრომში სათანადო ყურადღება ექცევა აღნიშნული პრობლემის, განსაკუთრებით კი მასობრივი შრომითი ემიგრაციის თავისებურებების განხილვას. ეს უკანასკნელი პირდაპირ ზემოქმედებს ქვეყნის შრომითი პოტენციალის დინამიკაზე, საერთო ეკონომიკური განვითარების პროცესზე და შესაბამისად აისახება ადამიანური კაპიტალის განვითარებისა და ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონეზე.

ქვეყანაში სიღარიბის დაძლევა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება შეუძლებელი იქნება თანამედროვე ცივილიზებული საბაზრო გარემოსა და მისი შესაბამისი ინფრასტრუქტურის ფორმირების გარეშე. სისტემაში კი წამყვანი ადგილი შრომის ბაზარს განეკუთვნება. სწორედ ნორმალურად ფუნქციონირებადი შრომის ბაზარი უნდა გახდეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, შრომისუნარიანი მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების ხელშეწყობის, შრომითი ცხოვრების ხარისხის და საბოლოო ანგარიშით ცხოვრების დონის გაუმჯობესების საფუძველი.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში ჩამოყალიბებულია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ზოგადი მიმართულებები.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მ. ცარციძე	უმუშევრობა და სიღარიბე საქართველოში თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლო–გიები ეკონომიკური გლობა–ლიზაციის პირობებში“, თსუ, 23-24 ოქტომბერი, 2015წ.

ანოტაცია

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში საქართველოში ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით გარკვეული პოზიტიური ძვრები განხორციელდა, სიღარიბის დაძლევა, მისი

დონის, სიღრმისა და სიმწვავის მნიშვნელოვნად შემცირება მაინც ვერ მოხერხდა. სამწუხაროა, რომ თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში ქვეყანაში უმუშევრობის, სიღარიბის დაძლევა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება კვლავ უპირველეს ამოცანად რჩება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომი მიზნად ისახავს სიღარიბის როგორც მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ ფენომენთან დაკავშირებული საკითხების სიღრმისეულ კვლევას და მისი დაძლევის გზების ჩამოყალიბებას. შესაბამისად მასში მთავარი აქცენტი გადატანილია ეკონომიკური განვითარების ისეთ მნიშვნელოვანი ფაქტორების განხილვაზე როგორიცაა: ეკონომიკური ზრდის ტემპები; ქვეყნის მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობა, უმუშევრობის, დასაქმების მდგომარეობა, მათი დონე, ხასიათი და მასშტაბები; პროფესიული განათლების სისტემის მდგომარეობისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული კადრებით უზრუნველყოფის, ასევე ადამიანური კაპიტალის განვითარების პრობლემები, მისი გავლენა ქვეყნის შრომითი პოტენციალის ფორმირებასა და განვითარებაზე.

ქვეყანაში სიღარიბის დაძლევა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება შეუძლებელი იქნება თანამედროვე ცივილიზებული საბაზრო გარემოსა და მისი შესაბამისი ინფრასტრუქტურის ფორმირების, ფასებისა და ეროვნული ვალუტის სტაბილიზაციის, ადამიანური კაპიტალის განვითარების, შრომისუნარიანი მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების ხელშეწყობის, სოციალური დაცვისა და დაზღვევის მოქნილი სისტემების შექმნის გარეშე.

ნაშრომში დასაბუთებულია, რომ შრომითი ცხოვრების ხარისხის და ცხოვრების დონის გაუმჯობესებისათვის საჭიროა სოციალურ-შრომითი ურთიერთობების სფეროში რიგი გადაუდებელი ღონისძიების გატარება, პირველ რიგში კი შრომის ბაზრის რეგულირებისა და დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის კარდინალური ცვლილება.

2	მ. ცარციძე	უმუშევრობა, როგორც შრომითი მიგრაციის განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორი საქართველოში	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მიგრაციული პროცესები და იდენტობათა ტრანსლაცია“, თსუ 15-18 ოქტომბერი 2015წელი.

ანოტაცია

თანამედროვე გლობალიზაციისა და ინტეგრაციის ეპოქაში საქართველოში სიღარიბის დაძლევა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება კვლავ სერიოზულ პრობლემად რჩება. ქვეყანაში სიღარიბის მაღალი დონე და მასშტაბები განპირობებულია უმუშევრობის მაღალი დონითა და ქრონიკული უმუშევრობის არსებობით. საექსპერტო შეფასებით, უმუშევრობის დონე დღეს ქვეყანაში საშუალოდ 32.0-36.0%-ის ფარგლებშია, რაც თავის მხრივ მასობრივი შრომითი მიგრაციის გამოწვევი უმთავრესი ფაქტორია. ეს უკანასკნელი კი თანამედროვეობის სერიოზული გამოწვევა და გლობალური ხასიათის პრობლემაა.

ნაშრომი უმუშევრობასა და შრომით მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემების კვლევას ეხება და მასში დასაბუთებულია, რომ ქვეყანაში სიღარიბის დაძლევისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების მიზნით უმუშევრობის დაძლევა და მიგრაციული პროცესების ეფექტიანი მართვა უნდა გახდეს ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკური განვითარების უმთავრესი პრიორიტეტი.

ასისტენტ პროფესორი მანანა ლობჟანიძე

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მანანა ლობჟანიძე	საქართველოს მთიანეთიდან მოსახლეობის ორგანიზებული ჩასახლება ჩრდილოეთ კავკასიაში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის, ინტელექტუალური მიგრაციის ინსტიტუტისა და კროსკულტურული უნივერსუმის ორგანიზებით ჩატარდება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „მიგრაციული პროცესები და იდენტობათა ტრანსლაცია“. ქ. თბილისი 2015 წლის 15 ოქტომბერი

ანოტაცია

კაცობრიობის ისტორიამ გასულ საუკუნეებში, გადასახლების არაერთი მაგალითი იცის.

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ ყოვლად გაუმართლებელი გადაწყვეტილება მიიღო: დასჯის მიზნით ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობა პირწმინდად აყარა საკუთარი მიწა-წყლიდან და ერთ ღამეში შუა აზიაში გადაასახლა. ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქი საბჭოთა კავშირის რუკიდან გაქრა. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ ამ სიცარიელის შევსება ქართველების ჩასახლებით გადაწყვიტა.

მდინარე ყუბანის სათავეებში ძირითადად სვანები ჩაასახლეს, თებერდის ხეობაში კი რაჭველები. ასე შეიქმნა კავკასიის ქედს მიღმა ქართული ქლუხორის რაიონი.

მთავრობის განკარგულებით, ხალხისაგან დაცლილი ქლუხორის რაიონის სოფლების შევსება რაჭისა და სვანეთის, კერძოდ ონისა და მესტიის რაიონების მოსახლეობის გადასახლებით გადაწყდა.

რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიერ, ნებაყოფლობითი გადასახლების მიზნით მთის რაჭის ოთხი სოფელი შეარჩიეს: ღები, ჭიორა, გლოლა და უწერა.

ქართველებსა და ჩრდილოკავკასიელ ხალხს შორის დამოკიდებულებას საუკუნეების ისტორია აქვს. ქართულ ოჯახებსა და ადგილობრივ ყარაჩაელებს შორის არათუ კონფლიქტი, უბრალო გაუგებრობაც კი არ ყოფილა პირიქით, დიდსულოვნად დაუთმეს კარგად მოვლილი და გაკეთილშობილებული კარ-მიდამო და მათ პირადი ნივთების გარდა საქართველოში არაფერი წაუღიათ.

საქართველოს საზღვრისპირა მთის სოფლებში მცხოვრებლები იმ თავიდან მესაზღვრები იყვნენ, ისინი ცხოვრობდნენ და სახელმწიფო საზღვრებსაც იცავდნენ, როგორც მთის რაჭაში, ისე ხევსურეთში, თუშეთსა და სვანეთში.

მთის სოფლების დაცლას სათავე დაუდო ონისა და მესტიის რაიონებიდან მოსახლეობის ნაწილის მშობლიური ადგილებიდან აყრას და სხვაგან, თუნდაც ქლუხორში გადასახლებას.

ჩვენმა დიდმა წინაპრებმა კარგად იცოდნენ, როგორც კი ქვეყნის ფარად მდგარი მთის მოსახლეობა მიატოვებდა საზღვრისპირა მამა-პაპათა ნასახლარს, ქვეყანა, როგორც სახლი უკაროდ, ისე დარჩებოდა, რაც დრომ და ცხოვრებამ დაადასტურა კიდეც. რაჭის ყველაზე ხალხმრავალი სოფელი, რომლის მოსახლეობა, დიდი სამამულო ომის დროს ორიათას კომლამდე იყო, ზამთარში ორმოცდაათამდე მოხუცის ამარა რჩებოდა.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ეს ჩასახლება მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა.

სამთავრობო გადაწყვეტილებამ მკვეთრად შეიცვალა რეალობა და ამ ცვლილების შედეგად, ოთხმეტი წლის შემდეგ ქართული მოსახლეობა საქართველოში დაბრუნდა და კიდევ ერთხელ ახლიდან უნდა დაეწყოთ ცხოვრება. რაც ცხადია, მათთვის მეტად მძიმე და რთული იყო.

ამ გადასახლებას რამდენიმე წლის შემდეგ თუ გავაანალიზებთ, როგორც ქვეყნისთვის, ისე იმ ხალხისთვის, ვინც მამა-პაპისეული საცხოვრებელი ადგილებიდან აიყარა და თავიანთი სახლ-კარიდან რამდენიმე ათასი კილომეტრის მოშორებით, მათთვის უცხო ადგილას გადასახლდა, ვერაფერი გონიერება და წიდახედულება იყო, რადგან ამას უამრავი პრობლემები ახლდა.

ამ საკითხში, როგორიც იყო ერთიანად ყარაჩაელების თავიანთი საცხოვრებლებიდან პირწმინდად, დედაბუდიანად აყრა და სადღაც უცხო ადგილას გადასახლება, მაგრამ დრომ დაადასტურა იმ ნაბიჯის არაგონივრულობა. რაჭველების და სვანების გადასახლებამ საქართველოს ჩრდილოეთის საზღვრს მოშლისა და გაშიშვლების საფრთხე დაემუქრა და მთისპირა სასაზღვრო სოფლების თუნდაც ნაწილობრივ შემცირებით საზღვარი დაუცველი აღმოჩნდა.

* სახელმწიფო გრანტით დაფინანსებული

სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	David N. Weil, Economic Grouwth, Therd edtion (თარგმნა ქართულ ენაზე) დასრულდა 2015 წლის მაისში	აშშ-ის საელჩო საქართველოში ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანადაფინანსებით	პროფესორი ნოდარ ხადური	ასოც. პროფ. მალხაზ ჩიქობავა (მთარგმნელი) ასოც. პროფ. ნაზირა კაკულია (მთარგმნელი) პროფ. ნოდარ ხადური (რედაქტორი) **ასისტენტ პროფესორი მანანა ლობჟანიძე (კორექტორი)**

დასრულებული პროექტის ანოტაცია

ჩვენ ვცხოვრობთ მდიდრებისა და ღარიბების სამყაროში. დედამიწაზე მცხოვრები 7 მილიარდი ადამიანი ფართო ეკონომიკური სპექტრის პირობებში არსებობს. განვითარებად ქვეყნებში, სადაც 925 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, არასაკმარისი რაოდენობითაა საკვები, 884 მილიონი ადამიანისათვის ხელმიუწვდომელია უსაფრთხო სასმელი წყალი, ხოლო 2,5 მილიარდს საერთოდ არ გააჩნია სანიტარული პირობები. ყოველდღიურად დაახლოებით 5 წლამდე ასაკის 5000 ბავშვი იღუპება დაავადებისაგან, რაც გამოწვეულია დაბინძურებული წყლით. მეორე უკიდურესობა ისაა, რომ ინდუსტრიულ ქვეყნებში არსებულმა ავადმყოფობამ, რომელიც გამოწვეულია საკვების ჭარბად მიღებით, შეცვალა საკვების სიმცირით გამოწვეული ჯანდაცვის ძირითადი პრობლემა. ცხოვრების მოსალოდნელი ხანგრძლივობა 76 წელია იმ 2,1 მილიარდი ადამიანისათვის, რომლებიც

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) კლასიფიკაციით ცხოვრობენ მაღალი ადამიანური განვითარების მქონე ქვეყნებში, 69 წელი 3,6 მლრდ ადამიანისათვის, რომლებიც ცხოვრობენ საშუალო ადამიანური განვითარების მქონე ქვეყნებში და 56 წელი 1,1 მილიარდი ადამიანისათვის – დაბალი ადამიანური განვითარების მქონე ქვეყნებში.

მაშინაც კი, როცა ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებს მიღმა ვიხედებით, ადამიანების ცხოვრების დონეებში განსხვავებები შემაშფოთებელია. 2008 წლისათვის ავსტრალიაში ყოველ 1000 კაცზე მოდიოდა 687 მსუბუქი ავტომობილი. ბანგლადეშისათვის შესაბამისი მაჩვენებელი იყო ყოველ 1000 კაცზე 2 ავტომობილი. საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკაში, სადაც მსოფლიო მოსახლეობის 11 პროცენტია თავმოყრილი, 2003 წლისათვის ელექტროენერგიის მოხმარებამ მსოფლიო მაჩვენებლის მხოლოდ 2,3 პროცენტი შეადგინა. აშშ-ში ანალოგიური მაჩვენებელი შეადგენდა 26%-ს, სადაც მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 4,6% ცხოვრობს. მსოფლიოს მეხუთედი ნაწილი, რომელიც ცხოვრობს უმდიდრეს ქვეყნებში, მსოფლიო შემოსავლის 60 პროცენტს ღებულობს. მსოფლიო ბანკის შეფასებით 1,1 მილიარდ ადამიანს თავი გააქვს დღეში 1 დოლარზე ნაკლები შემოსავლით და 2,6 მილიარდ ადამიანს - დღეში 2 დოლარზე ნაკლები შემოსავლით.

ქვეყნებს შორის აღნიშნული განსხვავება იდუმალებითაა მოცული. რატომაა ზოგიერთი ქვეყანა ასე მდიდარი და ზოგიერთი ასე ღარიბი? უნდა იყოს თუ არა ეს ასე? არსებობს თუ არა ფაქტორები, რომლებიც შეგვიძლია მივუთითოდ (ან იქნებ შევცვალოთ), რომლებსაც მივყავართ ასეთ უზარმაზარ განსხვავებასთან? გარკვეულწილად დამოკიდებულია თუ არამდიდრის კმაყოფილება ღარიბის გაჭიანურებულ ტანჯვაზე?

როდესაც ვაკვირდებითქვეყნებისგანვიტარებას დროთა განმავლობაში, საიდუმლოების მეორე ჯგუფი წარმოიქმნება. მდიდარი ქვეყნების მათ საკუთარ ისტორიასთან შედარებით ცხოვრების დონეებში კიდევ ერთხელ უზარმაზარ სხვაობას ვნახავთ. 1880 წელს დაბადებული იაპონელი ბავშვის სიცოცხლის ხანგრძლივობა 35 წელი იყო; დღეისათვის იაპონიაში სიცოცხლის ხანგრძლივობა 83 წელია. დიდ ბრიტანეთში მამაკაცების საშუალო სიმაღლემ 9,1 სანტიმეტრით (3,6 ინჩით) მოიმატა 1775-1975 წლებში უკეთესად კვების შედეგად. 1985 წელს აშშ-ში მუშაკს საშუალო ხელფასით უნდა ემუშავა 333 საათი, რომ ეყიდა მაცივარი; დღეს მუშაკს ამ დროის ერთი მეხუთედით შეუძლია გამოიმუშაოს იმდენი, რაც უკეთესი პროდუქტის საყიდლადაა საჭირო. მე-19 საუკუნის ბოლოდან მოყოლებული, ამერიკელების მიერ რეკრეაციაზე დახარჯული შემოსავლის ნაწილი გასამმაგდა მაშინ, როცა სურსათზე დანახარჯების წილი ორი-მესამედით შემცირდა.

მატერიალური კეთილდღეობის აღნიშნული ზრდა თანდაყოლილი იყო ადამიანების მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობის მკვეთრი შემცირებით. 1870 წელსაშშ-ში სამუშაო კვირის საშუალო ხანგრძლივობა 61 საათს შეადგენდა და სიბერეში პენსიაზე გასვლის კონცეფცია პრაქტიკულად არ არსებობდა. დღეისათვის სამუშაო კვირის საშუალო ხანგრძლივობა 34 საათია და ტიპურ მუშაკს შეუძლია პენსიაზე ყოფნა რამდენიმე ათეული წელი.

ის ქვეყნებიც კი, რომლებიც დღეს შედარებით ღარიბია, სარგებლობენ ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც ბოლო 100 წლამდე უპრეცენდენტო იყო ნებისმიერ ადგილას. ეგვიპტეს, ინდონეზიასა და ბრაზილიას, მიმდინარე პერიოდში უფრო მაღალი სიცოცხლის ხანგრძლივობა ახასიათებთ, ვიდრე ამას უზრუნველყოფდა ბრიტანული თავადაზნაურობის წევრობა მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის. კაცობრიობის ისტორიის უდიდესი ნაწილისათვის ისეთი მარტივი რამ, როგორიცაა მაგიდის ნათურა, ფუფუნების საგანს წარმოადგენდა, რომელიც მხოლოდ ძალიან მდიდრებს გააჩნდათ. დღეისათვის, მსოფლიო მოსახლეობის 79%-ს ხელი მიუწვდება იმაზე, რომ შინ ჰქონდესელექტროენერგია. მსოფლიო მოსახლეობის ის ნაწილი, რომელთა შემოსავალი დღეში ერთ დოლარზე ნაკლები იყო,

1981-2002 წლებში განახევრდა. მარტო ჩინეთში, დღეში ერთ დოლარზე ნაკლები შემოსავლის მქონე ადამიანთა რაოდენობა 200 მილიონით შემცირდა ამავე პერიოდის განმავლობაში.

მსოფლიოს უმრავლესობისათვის ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში შეიმჩნევა ცხოვრების სტანდარტის უპრეცედენტო ზრდა. მდიდარ ქვეყნებში აღნიშნული ზრდა საუკუნეზე მეტია გრძელდება, რომელმაც შექმნა შთაბეჭდილება იმისა, რომ ეკონომიკური პირობები სულ უფრო და უფრო გაუმჯობესდება. მაგრამ, რა არის ამ ზრდის წყარო?

როდესაც ვადარებთ ქვეყნების ცხოვრების დონის ზრდას, მეტი კითხვა ჩნდება. ზოგიერთი ქვეყნები ძირითადად პარალელური მიმართულებით იზრდებოდა. მაგალითად, ბრიტანეთსა და საფრანგეთს საუკუნეების განმავლობაში დაახლოებით მსგავსი ცხოვრების დონე ჰქონდათ. ზოგიერთმა ქვეყანამ, როგორიცაა არგენტინა - რომელიც მსოფლიოში უმდიდრესი ქვეყანა იყო მე-20 საუკუნის დასაწყისში -ვერ შეძლო თავი დაეღწია სიღარიბისაგან. სხვამ, როგორიცაა იაპონია, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ძალიან ღარიბი იყო მსფოლიოს ლიდერებთან შედარებით, განიცადა ზრდისმკვეთრი აფეთქება და დაეწია ლიდერებს. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, გასაოცარი ზრდის ეს აფეთქება სულ უფრო და უფრო არსებითი გახდა ისეთი ქვეყნებისათვის, როგორიცაა სამხრეთ კორეა, რომელმაც განახორციელა სიღატაკიდან ინდუსტრიულ სახელმწიფოდ ტრანსფორმაცია ერთ თაობაში. მიუხედავად ამისა, სხვა ქვეყნებს დღემდე იმუნიტეტი აღმოაჩნდათ ზრდის ვირუსის მიმართ და აგრძელებენ უიმედოდ ცხოვრებას სიღარიბეში. მაგალითად, საშუალო აფრიკული ოჯახი 1998 წელს მოიხმარდა 20%-ით ნაკლებს, ვიდრე 25 წლით ადრე. ქვეყნებს შორის განსხვავების რომელმა სახემ მიგვიყვანა დივერგენციისამ ფაქტამდე?

ზრდაზე აღნიშნული დაკვირვებით ისმის საბოლოო კითხვაა: სანამდე მივყავართ ყოველივე ამას? მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყნები გააგრძელებენ ზრდას ისე, რომ როცა ჩვენი შვილიშვილები წარსულისკენ გაიხედავენ, გაოცდებიან იმ პრიმიტიული პირობებით, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ? ღარიბი ქვეყნები კიდევ უფრო დაშორდებიან მდიდარ ქვეყნებს თუ მათ შორის დაშორება აღმოიფხვრება? ზოგიერთი ექსპერტი ბუნებრივი რესურსების შემცირების პირობებში ამტკიცებს, რომ თვით მდიდარი ქვეყნებიც კი იძულებული იქნებიან შეამცირონ საკუთარი მოხმარება. რესურსების შეზღუდულობა შეუძლებელს გახდის თუ არა მსოფლიოს ოთხი-მეხუთედი მოსახლეობისათვის რომლებიც სიღარიბეში ცხოვრობენ, დაეწიონ განვითარებულ ქვეყნებს? მისცემს თუ არა ახალი ტექნოლოგიები ადამიანთა რასას იმის საშუალებას, რომ წარსულს ჩაბარდეს უკმარისობის მდგომარეობა, რომელიც პრევალირებდა თითქმის მთელი მისი ისტორიის მანძილზე?

მოცემულ წიგნში არის ცდა იმისა, პასუხი გაეცეს კითხვებს, თუ რატომ განსხვავდება ქვეყნები ერთმანეთისაგან ცხოვრების დონით და რატომ მდიდრდება ან არ მდიდრდება ქვეყანა დროთა განმავლობაში. ამ თავის დარჩენილ ნაწილში უფრო დაწვრილებითააწარმოდგენილი ფაქტორთა კონტექსტი ასახსნელად. თავდაპირველად განვიხილავთ ქვეყნებს შორის განსხვავებას შემოსავლების დონეებში და შემდგომ გამოვიკვლევთ შემოსავლების ზრდის ტემპებში ეროვნულ განსხვავებებს. როგორც შემდეგ ვნახავთ, ამ ორ მაჩვენებელს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს: ქვეყნები, რომლებიც მდიდრები არიან დღეს, ის ქვეყნებია, რომლებიც სწრაფად იზრდებოდნენ წარსულში დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

№	პროექტის დასა-ხელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

1	M. Todaro, W. Smith, Economic Development 12th ed. (თარგმნა ქართულ ენაზე) (დაიწყო 2015 წლის სექტემბერში, სრულდება 2016 წლის სექტემბერში)	აშშ-ის საელჩო საქართველოში ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანადაფინანსებით	პროფესორი ნოდარ ხადური	ასოც. პროფ. მალხაზ ჩიქობავა (მთარგმნელი) ასოც. პროფ. ნაზირა კაკულია (მთარგმნელი) პროფ. ნოდარ ხადური (რედაქტორი) **ასისტენტ პროფესორი მანანა ლობჟანიძე (კორექტორი)**

დასრულებული პროექტის ანოტაცია

განვითარებადი ქვეყნების ორი სურათი ერთმანეთს ეჯიბრება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში საზოგადოებრივი ყურადღების მისაპყრობად. პირველი წარმოადგენს ტაჯვა-წამებას ისეთ ადგილებში, როგორიცაა აფრიკის სასოფლო რაიონები და ანტისანიტარია და გადატვირთული ურბანული ღარიბი რაიონები სამხრეთ აზიაში. მეორეა ექსტრაორდინალური დინამიზმი იმ ადგილებში, როგორიცაა ზღვისპირა ჩინეთი. ორივე სურათი გადმოგვცემს განვითარების დიდი დრამის მნიშვნელოვან ნაწილს. ცხოვრების პირობები უმჯობესდება დედამიწის უმრავლეს, თუმცა არა ყველა ნაწილში - ზოგჯერ ის ვითარდება ნელა და არათანაბარზომიერად. კუმულატიური ეფექტი მდგომარეობს იმაში, რომ ეკონომიკურმა განვითარებამ ბიძგი მისცა უპრეცედენტო გლობალურ ტრანსფორმაციას.

განვიხილოთ მსოფლიო 1992 წლისათვის, დროისათვის, როცა გარღვევა მდიდარ განვითარებულ ქვეყნებსა და შემოსავლების დაბალი დონის მქონე განვითარებად ქვეყნებს შორის, როგორც ჩანს, გაფართოვდა. მდიდარი ქვეყნები უფრო სწრაფად იზრდებოდნენ, ვიდრე ღარიბი ქვეყნები; და გლობალური თვალსაზრისით მაღალშემოსავლიანი ინდუსტრიული ქვეყნების ბატონობა აშკარად გამოკვეთილი იყო. აშშ-ს ახალი მოგებული ჰქონდა ცივი ომი საბჭოთა კავშირთან, რომელიც 1991 წლის ბოლოს დაიშალა. ცივი ომის დასასრულმა ასევე იხილა აღმავალი ევროკავშირი ევროპა-92-ის ერთიანი ბაზრის მიმზიდველი პროექტის მიმართ სრული ნდობით. უძრავი ქონებისა და საფონდო ბაზარზე საპნის ბუშტი ეს-ეს იყო იწყებდა გაბერვას, მაგრამ არავინ პროგნოზირებდა გაჭიანურებულ სტაგნაციას, რომელიც მოჰყვა იაპონიის ხანგრძლივი მაღალი ეკონომიკური ზრდის პერიოდს.

ჯერ კიდევ 1992 წელს, მრავალი განვითარებადი ქვეყანა, მათ შორის, ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი და სამხრეთი აფრიკა (რომელიც მედიის მიერ ცნობილია, როგორც „ღIჩშ“-ის გაერთიანება), აღმოჩნდა უმძიმეს პირობებში, თუ არა სრულმასშტაბიან კრიზისში. ბრაზილია - როგორც ლათინური ამერიკის მრავალი - ჯერ კიდევ იბრძოდა 1980-იანი წლების სავალო კრიზისიდან გამოსასვლელად. რუსეთი ღრმა დეპრესიაში აღმოჩნდა საბჭოთა ეკონომიკის კოლაფსის შემდეგ. ინდოეთი ცდილობდა თავი დაეღწია სერიოზული ეკონომიკური კრიზისისგან დამოუკიდებლობის შემდეგ. ჩინეთში დაიწყო ძალიან სწრაფი ზრდის პერიოდი, მაგრამ 1989 წლის სისხლისღვრამ ტიანანმენის მოედანზე ჩინეთში რეფორმებისა და ზრდის პერსპექტივა გაურკვეველი გახადა. ამავე დროს, აპარტეიდის დასასრული ჯერ კიდევ მოლაპარაკების საგანი იყო სამხრეთ აფრიკაში, როცა კონტინენტი მთლიანობაში შედიოდა მის მიერ დაკარგულ დაბალი ეკონომიკური ზრდის მეორე ათწლეულში და სადაც პესიმიზმი იყო გაბატონებული. განვითარების გადაუდებელი

საჭიროების მიუხედავად, ფართოდ გავრცელებული იყო საშიშროება იმის შესახებ, რომ ცივი ომის დასრულებასთან ერთად, მდიდარი სამყარო დაკარგავდა ინტერესს დახმარებისადმი განვითარების მიზნით. და 1992 წელს დედამიწის სამიტზე, მაშინ, როცა სამყარო დგამს თავის პირველ ფრთხილ ნაბიჯებს გლობალური დათბობის გამო კლიმატის ცვლილების აღიარებისა და შეზღუდვის მიზნით, თითქმის ვერავინ იფიქრებდა, რომ 20 წლის შემდეგ ჩინეთი და ინდოეთი იქნებოდა სასათბურე გაზის სამ ძირითად გამომყოფთა შორის.

მაგრამ, 1992 წლიდან მდიდარ ცენტრებსა და დანარჩენ გლობალურ სამხრეთ პერიფერიებს შორის მკვეთრი დუალიზმიდან გადავედით უფრო დინამიკურ და რთულ ურთიერთობებზე. აზია საშუალოდ თითქმის სამჯერ უფრო იზრდება, ვიდრე მაღალშემოსავლიანი დასავლური ქვეყნები, ასევე ზრდას აქვს ადგილი აფრიკაშიც, რომელიც გვაუწყებს დაპირებას გლობალური კონვერგენციის ეპოქის შესახებ. ტრანსფორმაციის მასშტაბი უზარმაზარია.

ჯანმრთელობა ძლიერ გაუმჯობესდა ბავშვთა სიკვდილიანობის მკვეთრი შემცირებით, ხოლო საყოველთაო დაწყებითი განათლების დანერგვა სისრულეში მოდის. სიღარიბე შემცირებულია. მაშინ, როცა 1990 წელს მსოფლიო მოსახლეობის დაახლოებით ორი-მეხუთედი ცხოვრობდა უკიდურეს სიღარიბეში, დღეისათვის ეს წილი შემცირებულია ერთ-მეხუთედამდე. ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც უკიდურესი სიღარიბის პირობებში ცხოვრობდა ჩინეთში (დღიურად 1.25$-ზე ნაკლები შემოსავლით) 1992 წელს არსებული 743 მილიონიდან, 2009 წლისათვის 157 მილიონამდე შემცირდა. ინდოეთმაც განიცადა სიღარიბის არსებითი, თუმცა ნაკლებად დრამატული შემცირება; ბრაზილიაში სოციალურმა პროგრამებმა, როგორიცაა ოლსა ამილია, დიდი როლი ითამაშა ქვეყანაში გადაუჭრელი პრობლემების არსებით შემცირებაში. ინოვაციების უზარმაზარმა ზრდამ, როგორიცაა მობილური ტელეფონები და კრედიტების ხელმისაწვდომობა მცირე საწარმოებისათვის, უზრუნველყო სარგებლის მიღება და ხორცი შეასხა ახალ ოპტიმიზმს.

ამავე დროს, მომავალი ეკონომიკური განვითარება და სიღარიბის შემცირება სულაც არაა გარანტირებული - მრავალი ადამიანი, რომლებიც გამოვიდნენ სიღარიბიდან, კვლავაც დაუცველები არიან, ეკოლოგიური გარემო უარესდება და ეროვნული ეკონომიკის ზრდა გაურკვეველია. ეკონომიკური განვითარება წარმოადგენს პროცესს, რომელიც გრძელდება არა წლების, არამედ ათწლეულების მანძილზე. 2011 წელს მასობრივი ინფორმაციის საშულებებში „ ღIჩშ“-ის ეკონომიკური ზრდის საზეიმო აღნიშვნის შემდეგ ადგილი ჰქონდა შეხსენებას იმის შესახებ, რომ პროცესი რჩება არათანაბარზომიერი და გაურკვეველი. ბრაზილიაში ეკონომიკური ზრდა დაეცა 2010 წელს არსებული 7,5%-დან 1%-ზე ნაკლებ დონემდე 2012 წლისათვის. ზრდა ინდოეთში, რომელმაც პირველად გადააჭარბა 10%-ს 2010 წელს, დაეცა ამ დონის ერთი-მესამედის დონემდე 2012 წელს. ზრდა ჩინეთში 2010 წელს არსებული 10%-ზე მეტი დონიდან დაეცა 8%-ზე ქვემოთ 2012 წლისათვის და პროგნოზით ნავარაუდევია მისი ტემპის პერმანენტული შემცირება სავარაუდოთ 7%-მდე. 2012 წელს სამხრეთ აფრიკაში ზრდა 3%-ზე ოდნავ მეტი იყო. მოსახლეობის ერთ სულზე ზრდა უფრო დაბალი იყო, რადგანაც ადგილი ჰქონდა მოსახლეობის ზრდას. როცა ფინანსური ბაზრები არასტაბილური იყო 2013 წლის ზაფხულში, მრავალმა ინვესტორმა დაიწყო ამ და სხვა განვითარებადი ქვეყნებიდან ფულის გატანა.

იმავე დროს, განვითარების თანამეგობრობაში მრავალი შეშფოთებული იყო 2013 წლის მოხსენებით, რომელმაც აჩვენა აფრიკაში სიღარიბეში მცხოვრები ადამიანების რაოდენობა ჯერ კიდევ შესამცირებელი იყო და სიღარიბეში არსებულთა ამ რაოდენობის საშუალო შემოსავალი ჯერ კიდევ 70 ცენტს არ აჭარბებდა დღიურად გრძელვადიან პერიოდში. კლიმატის ცვლილებებზე საუბარი, რომელიც ასევე 1992 წელს დაიწყო, გრძელდებოდა კუს ნაბიჯებით მაშინ, როცა სასათბურე გაზების გაფრქვევამ სარეკორდო

დონეს მიაღწია და კლიმატის ცვლილებების შედეგები ძალიან შესამჩნევი გახდა დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში, რომელიც ემუქრება პროგრესს როგორც სამხრეთ აზიაში, ისე აფრიკაში.

მაგრამ, ვიდრე ოპტიმიზმი სხვა ქვეყნების მიერ ჩინეთის ისტორიულად მიუღწეველი მაღალი ზრდის ტემპებთან დაახლოების შესაძლებლობაზე დაიჩრდილებოდა, დრამატული დაწევის პოტენციალი ნათელია, როგორც არასდროს. მასმედიის პესიმიზმი, რომელიც გაბატონებული იყო 2013 წლის გაზაფხულზე, იმაზე მეტად არ იქნა გამართლებული, ვიდრე მხოლოდ ორი წლით ადრინდელი ბრმა ოპტიმიზმი. რეალიზმი აუცილებელია - როგორც საფრთხისშემცველ გამოწვევებზე, ისე საინტერესო შესაძლებლობებზე. სარგებელი განვითარებადი ქვეყნებისათვის ბოლო წლებში იყო ნამდვილი და არსებითი - ზოგიერთ შემთხვევაში, ტრანსფორმაციული - მრავალი განვითარებადი ქვეყნის შემთხვევაში მყარად მცირდება გარღვევა განვითარებულ ქვეყნებთან, კერძოდ, ჯანდაცვისა და განათლების სფეროში და ძალიან ხშირად შემოსავლებში. პერსპექტივები ძლიერი რჩება უახლოესი წლებისათვის, განსაკუთრებით საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებში; და მაინც, ზრდის მაღალი ცვალებადობა მხოლოდღა ერთი მინიშნებაა განვითარების დარჩენილი უფრო ფართო პრობლემებისათვის, რომელსაც განვიხილავთ მთელ ამ ნაშრომში.

ეს წიგნი აგვიხსნის იმას, თუ რა იმალება სათაურების რიცხვებსა და განვითარების მოდელებში, წარმოვადგენთ რა აუცილებელ ანალიტიკურ ინსტრუმენტებს და ყველაზე ბოლო და სარწმუნო მონაცემებს - გამოწვევებზე, დაწყებული სიღარიბით და დამთავრებული საერთაშორისო ფინანსებით. დასაწყისისათვის აღვნიშნავთ, რომ დღესაც კი მსოფლიოს მრავალმა უღარიბესმა ადამიანმა ნაკლები სარგებელი მიიღო ან საერთოდ არ მიუღია ის ახალი გლობალური აყვავებიდან.

ასისტენტ პროფესორი მარინა ტაბატაძე

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მარინა ტაბატაძე	სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკის პრიორიტეტები;	საქართველოს საზღვაო აკადემიის საერთაშორისო კონფერენციის კრებული	ბათუმი, 2015 წელი, ივლისი	
2	მარინა ტაბატაძე	რეგიონის სტრატეგიული განვითარების ფინანსური	ჟურ. "ბიზნეს-ინჟინირინგი" №2	2015 წელი	

		უზრუნველყოფის მექანიზმები			

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მარინა ტაბატაძე	ქართველ მენეჯერთა ფსიქოტიპები	Business PhD in France, Universite Paris Quest Nantezze La Dobens	პარიზი, 2015, 30 აპრილი	

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მარინა ტაბატაძე	სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკის პრიორიტეტები;	საქართველოს საზღვაო აკადემიის საერთაშორისო კონფერენცია, ბათუმი, 2015 წელი, ივლისი
	მარინა ტაბატაძე	საინვესტიციო გარემო და ქვეყნის საერთაშორისო რეიტინგი	თსუ, პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი, 2015 წელი, ივლისი

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მარინა ტაბატაძე	ქართველ მენეჯერთა ფსიქოტიპები	Business PhD in France, Universite Paris Quest Nantezze La Dobens, პარიზი, 2015, 30 აპრილი

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: ***ეკონომეტრიკის კათედრა***

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: პროფესორი ***იური ანანიაშვილი***

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

ასოცირებული პროფესორი აკაკი არსენაშვილი
ასოცირებული პროფესორი მერაბ ჯულაყიძე
ასოცირებული პროფესორი ნინო მიქიაშვილი
ასისტენტ-პროფესორი ეკა მეყანწიშვილი

პროფესორი იური ანანიაშვილი

* პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	იური ანანიაშვილი	შრომისა და კაპიტალის მიწოდების ფუნქციები	თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში. შრომების კრებული №1	თბილისი, თსუ 2015	25-30

ანოტაცია

შრომისა და კაპიტალის მიწოდების ფუნქციები

სტატიაში გამოყენებულია დებულება, რომლის თანახმადაც შრომის მიწოდება რეალური ხელფასის, კაპიტალის მიწოდება კი კაპიტალის გაქირავების რეალური ფასის ზრდადი ფუნქციებია. ნაჩვენებია, რომ ასეთ სიტუაციაში შრომის მიწოდების ფუნქცია წარმოადგენს ნომინალური ხელფასის ზრდად და კაპიტალის გაქირავების ნომინალური ფასის კლებად ფუნქციას, ხოლო კაპიტალის მიწოდების ფუნქცია კი პირიქით – ნომინალური ხელფასის კლებადი და კაპიტალის გაქირავების ნომინალური ფასის ზრდადი ფუნქციაა. ამავე დროს დასაბუთებულია, რომ გარკვეული პირობების შესრულებისას, არსებობს ნომინალური ხელფასისა და კაპიტალის გაქირავების ნომინალური ფასის ზრდის ისეთი კომბინაციები, რომლებსაც შრომისა და კაპიტალის მიწოდების ერთდროული ზრდა შეუძლია გამოიწვიოს.

* საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გარეშე

შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	პროექტის დასა-	დამფინანსებელი	პროექტის	პროექტის

	ხელება	ორგანიზაცია	ხელმძღვანელი	შემსრულებლები
1	მ. ვულდრიჯის წიგნის “ ეკონომეტრიკის შესავალი”-ის თარგმნა; საგრანტო ხელშეკ- რულება: S-GE800-14-GR-117, დევიდ ფერი.	საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო	ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იური ანანიაშვილი	პროფესორი იური ანანიაშვილი – სამეცნიერო რედაქტორი; ასოც. პროფესორები: აკაკი არსენაშვილ – მთარგმნელი; მერაბ ჯულაყიძე – მთარგმნელი; მაია მინდორაშვილი – მთარგმნელი; პროფესორის ასისტენტი: ანა ანანიაშვილი – რედაქტორი.
პროექტი დაიწყო 2014 წლის პირველ ნოემბერს და დასრულდება 2015 წლის 31 დეკემბერს				

ასოცირებული პროფესორი აკაკი არსენაშვილი

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ა.არსენაშვილი	*“Optimization of an important moment in compram method”* The 27 Europian Conference on Operational Research, MD-65	*13-18 ივლისი, 2015. გლაზგო, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო*

კომპრამის მეთოდში ერთი მნიშვნელოვანი მომენტის ოპტიმიზაცია

კომპრამის მეთოდის გამოყენებისას ხშირად წარმოიქმნება ისეთი სიტუაცია, როდესაც საჭიროა მეთოდში მითითებული ერთი რომელიმე ეტაპიდან გადავიდეთ მეორე ეტაპზე ან თვით, რომელიმე ეტაპის შიგნით შევცვალოთ მოფიქრებული გადაწყვეტილება. ვფიქრობ მნიშვნელოვანია ასეთი ცვლილების მომენტის ოპტიმალურად განსაზღვრა ისე, რომ საბოლოო ჯამში, მთლიანად შესასწავლი პროცესი წარვმართოთ ოპტიმალურად.

კომპრამის მეთოდში ეტაპებს შორის გადასვლას ვუწოდოთ შესასწავლი პროცესის შესახებ ინფორმაციული სიმრავლის სტრუქტურის ცვლილება, ხოლო დროის იმ მომენტს, როდესაც უნდა მოხდეს ინფორმაციული სიმრავლის სტრუქტურის ცვლილების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების შეცვლა, ვუწოდოთ გადაწყვეტილების მიღების საფუძვლების სტრუქტურის ცვლილების მომენტი.

ამოცანა მდგომარეობს შემდეგში: ისე წარვმართოთ კომპრამის მეთოდში მითითებული ეტაპები და მთლიანად პროცესი, რომ თვითოეულ ეტაპზე მიღებული გადაწყვეტილება, მთლიანობაში მიღებულ გადაწყვეტილებასთან ერთად იყოს ოპტიმალური და ამასთან ერთად ერთი ეტაპიდან მეორე ეტაპზე გადასვლის მომენტებიც ოპტიმალურად იყოს განსაზღვრული.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (უცხოური გრანტი)
1	ინგლისურენოვანი ეკონომეტრიკის სახელმძღვანელოს: “Introductory Econometrics”, Jeffrey M.Wooldridge, 5th edition, ქართლი თარგმანის შესრულება	ი.ანანიაშვილი	ა.არსენაშვილი, მ.ჯულაყიძე, მ.მინდიაშვილი	ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ფედერალური ფინანსური დახმარება/ გრანტი. გრანტი № S-GE800-GR-117

ასოცირებული პროფესორი მერაბ ჯულაყიძე

II. 1. პუბლიკაციები:

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	მერაბ ჯულაყიძე	თამაშთა თეორია ეკონომისტებისათვის. (ელექტრონული ვერსია) 2013 (გადამუშავებული და შევსებული) 2015	თსუ ელექტრონული ვერსია. ინახება თსუ მაღლივი კორპუსის ბიბლიოთეკაში (ნაბეჭდი და ელექტრონული ფორმით)	167
ლექციების კურსი(სახელმძღვანელო) მოიცავს თამაშთა თეორიის მოდელირების საკითხებს ეკონომისტებისათვის, რომლებიც წლების განმავლობაში ავტორის მიერ წაკითხული იქნა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ეკონომეტრიკისა და მათემატიკური ეკონომიკის მოდულის ჯგუფებისათვის. კერძოდ, განხილულია თემები:				

სტატიკური და დინამიური თამაშები სრული და არასრული ინფორმაციით, დინამიური ბაიესური თამაშები, სრულყოფილი ბაიესური წონასწორობა, თამაშები და პარეტო-ოპტიმალობა, კვაზიწრფივი ეკონომიკა და კერძო წონასწორობა, ჩვეულებრივი მონოპოლიის მოდელი, საფასო დისკრიმინაცია, ოლიგოპოლია: კურნოს მოდელი, შტაკელბერგის დუოპოლიის მოდელი, კარტელი და შეთანხმება, ბერტრანის მოდელი, ოლიგოპოლიის მოდელი საფასო ლიდერობით.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მერაბ ჯულაყიძე	სამომხმარებლო ქცევის მოდელები	ყოველკვირეული გაზეთი "ბანკები და ფინანსები" №437	თბილისი, 2015 წლის 7 დეკემბერი	5 გვერდი

ანოტაცია

სტატიაში განხილულია სამომხმარებლო ქცევის მოდელები, მოხმარების მოდელირების სხვადასხვა ასპექტები, სხვადასხვა საქონელზე მოთხოვნის შეფასებების სისტემა, მოხმარებასა და შემოსავალს შორის კავშირი, ცხოვრების დონისა და სიღარიბის გაზომვა, პანელების დაპროექტების მეთოდები განმეორებითი სივრცობრივი მონაცემების გამოყენებით, მაკროეკონომიკური პრობლემების მიკროეკონომიკური მონაცემებით გადაწყვეტა, კავშირი ინდივიდების ქცევასა და საერთო ეკონომიკურ შედეგებს შორის.

დაწესებულება თუ საჭიროდ თვლის, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

მიზანშეწონილად მივიჩნიე ანგარიშში შემეტანა შემდეგი აქტივობები:

1. 2014 წლის 1 ნოემბრიდან 2015 წლის 1 ნოემბრამდე ვმონაწილეობდი სახელმძღვანელოს Wooldridge Jeffrey M. Intreductory Econometrics. A Modern Approach. Fith Edition. SOUTH-WESTERN CENGAGE Learning 2013 ინგლისურიდა ქართულ ენაზე თარგმანის პროცესში (პირველიდა მეშვიდე თავის ჩათვლით). (საგრანტო ხელშეკრულება S-GE800-14-GR-117, ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულება 955/05 02.11.2014 წელი)
2. სტუდენტთა 75-ე საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციაზე ჩემი ხელმღვანელობით მომზადდა სტუდენტთა 2 მოხსენება: ხუროძე ერეკლე – "საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საოპტიმიზაციო მოდელი" (Vადგილი 41 მომხსენებელს შორის, დაიბეჭდა "სტუდენთტა 75-ე საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებულში. თბილისი.2015 წელი(გვ. 277-285) და მერკვილაძე ანი – "თამაშთა თეორიის გამოყენება ეკონომიკაში"(იქვე, გვ. 190-195).

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნინო მიქიაშვილი	მცირე ზომის ეკონომიკის ქვეყნების ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ზოგიერთი თავისებურება გლობალიზაციის პირობებში (საქართველოს მაგალითზე)	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში“ 2015 წლის 24-25 ოქტომბერი
ანოტაცია კონკურენტული წარმოების შენარჩუნება-გაფართოება მნიშვნელოვანია ნებისმიერი ქვეყნისთვის, განსაკუთრებით მწვავეა ეს პრობლემა მცირე ღია ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებისთვის. იგი კიდევ უფრო ღრმავდება, თუ ქვეყანას მძიმე მემკვიდრეობა აქვს და გლობალიზაციის პროცესიც ზეგავლენას ახდენს მის განვითარებაზე. მაკროეკონომიკური მაჩვენებლების, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დამუშავებული ინდექსების ანალიზი საშუალებას იძლევა რამდენადმე შერბილდეს უარყოფითი ფაქტორების ზეგავლება და ქვეყანამ შეძლოს კონკურენტუნარიანობის ამაღლება როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან პერიოდებში.			

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**ნინო მიქიაშვილი**, მაია გიორგობიანი	Competitiveness of a country and some peculiarities of improving it on the example of a small open economy ქვეყნის კონკურენტუნარიანობა და მისი ამაღლების ზოგიერთი თავისებურება მცირე ღია ეკონომიკის მაგალითზე	15th International Conference at Brno University of Technology, Faculty of Business and Management, May 28-29, 2015 Brno, Czech Republic Perspectives of Business and Entrepreunership Development
ანოტაცია ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. იგი როგორც ეკონომიკურ, ასევე სხვა სახის ფაქტორებს აერთიანებს. ნაშრომში ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის			

მქონე რაოდენობრივი და თვისობრივი ფაქტორების განხილვა-გაანალიზების საფუძველზე საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების პრიორიტეტული მიმართულებების პერსპექტივების განსაზღვრა.
(ნაშრომი გამოქვეყნებულია საკონფერენციო მასალებში: :http://konference.fbm.vutbr.cz/ic/proceeding-papers.html) გვ.65-71

ასისტენტ-პროფესორი ეკა მეყანწიშვილი

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ-ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ეკატერინე მეყანწიშვილი	„პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების შეფასება ზოგადი წონასწორობის გამოთვლითი მოდელის საშუალებით” ჟ. ეკონომისტი	№2	თბილისი	35-43

ანოტაცია

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება მოითხოვს ეკონომიკის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს ჩარევის ისეთი ფუნქციების განხორციელებას, როგორიცაა: მაკროეკონომიკური რეგულირება და ეფექტიანი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელება. სახელმწიფო რეგულირების ეფექტიანობის საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას პოსტკომუნისტურ ქვეყნებში მათ შორის საქართველოშიც). ამ ფონზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გადასაჭრელი ეკონომიკური საკითხებისადმი სისტემური მიდგომა და მოსალოდნელი შედეგების ანალიზი. რის საშუალებასაც იძლევა მაკროეკონომიკური მოდელირება, კერძოდ ისეთი ანალიტიკური მოდელის აგება, რომელიც უზრუნველოფს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების კომპრლექსურ გამოსახვას და მათ რაოდენობრივ შეფასებას. ასეთ მოდელთა კლას მიეკუთვნება ზოგადი წონასწორობის გამოთვლითი მოდელები. უცხოურ ლიტერატურაში ეს მოდელი ცნობილია, როგორც Computable General Equilibrium models (CGE models).

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1	ეკატერინე მეყანწიშვილი	„მცირე ბიზნესის სფეროს მარკეტინგის მაკრო და მიკრო გარემო”	27-28 ივნისი. თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი

ანოტაცია

მცირე მეწარმეობის სფეროში მარკეტინგის მართვის კონცეფცია უნდა ეფუძნებოდეს მეწარმეობის სოციალურ მნიშვნელობას და ინოვაციურ ბუნებას და გამოდიოდეს იქიდან, რომ შექმნილ პირობებში მცირე მეწარმეობის განვითარების პრობლემები შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ მეწარმეთა ძალისხმევის გაერთიანებით და მარკეტინგის სფეროში მიზნების, პრინციპების, ფუნქციებისა და მოქმედებების შეთანხმებით. *მარკეტინგული საინფორმაციო სისტემა* ბაზრის მდგომარეობის შესაფასებლად ორგანიზებული კვლევების საფუძველზე უზრუნველყოფს მცირე ბიზნესის სფეროს ორგანიზაციებს გარეშე ინფორმაციით საჭირო ფორმით და საჭირო დროს. მარკეტინგული საინფორმაციო სისტემის ორგანიზაცია, რასაკვირველია, მოითხოვს გარკვეულ დანახარჯებს მცირე ბიზნესის სფეროს საწარმოების მხრიდან. მარკეტინგული საინფორმაციო სისტემის ორგანიზებისათვის საჭიროა:

- ინფორმაციის შეგროვების, კლასიფიკაციის, ანალიზის, შეფასებისა და გავრცელების მეთოდოლოგიის შემუშავება;
- მონაცემთა ბაზის ელექტრონული ვერსიის შემუშავება;
- მომხმარებელ სისტემებს შორის კომუნიკაციის არხების ორგანიზება.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ეკატერინე მეყანწიშვილი	,,Государственное регулирование, как барьиер развития малого бизнеса в посткоммунистических странах “ XVI Международную научную конференцию <<Стратегии формирования Е-экономики и Е-общества в Центральной и Восточной Европе >> Люблинский католический университет им. Иоанна Павла II.	Польша г. Наленчов.25-27 мая 2015г.

ანოტაცია

მოცემულ სტატიაში განხილულია პოსტკომუნისტურ ქვეყნებში მცირე ბიზნესის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემები. ფორმულირებულია ის ძირითადი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მცირე ბიზნესის შესაძლო განვითარებასთან უახლოეს მომავალში. მოცემულია მცირე ბიზნესის განვითარებისათვის ადეკვატური სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასთან დაკავშირებული პრობლემები.

1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: ***ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრა***
2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ***პროფესორი სიმონ გელაშვილი***
3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორი სიმონ გელაშვილი
პროფესორი ქეთევან მარშავა
ასოცირებული პროფესორი ნინო აბესაძე
ასოცირებული პროფესორი მაია მინდორაშვილი
ასოცირებული პროფესორი მარინა მუჩიაშვილი
ასოცირებული პროფესორი მერაბ ხმალაძე
ასისტენტ-პროფ. ზამირა შონია
ასისტენტ-პროფ. მაია გიორგობიანი

პროფესორი სიმონ გელაშვილი

1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**სიმონ გელაშვილი**	**საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკა**	**თბილისი, „მერიდიანი”**	**497**
ანოტაცია აღნიშნული სახელმძღვანელო პირველია ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში, რომელშიც განზოგადებულია ამერიკის, ევრაზიის, აფრიკისა და ავსტრალიის კონტინენტების ცალკეული ქვეყნების სტატისტიკის თანამედროვე ორგანიზაცია და პრაქტიკა. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია განვითარებულ ქვეყნებში სტატისტიკის ისტორიულ ევოლუციაზე, ასევე ოფიციალური სტატისტიკის პრინციპებზე, ორგანიზაციულ მოწყობაზე, ძირითად ფუნქციებზე და ამოცანებზე, საერთაშორისო თანამშრომლობაზე, სტატისტიკური ინფორმაციის მიღება-დამუშავების სქემებზე და სტატისტიკური გამოკვლევების პროგრამულ-მეთოდოლოგიურ საკითხებზე. სახელმძღვანელო განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისა და ამ საკითხებით დაინტერესებული სხვა მკითხველისათვის.				

დამხმარე სახელმძღვანელო

2	სიმონ გელაშვილი და სხვა თანაავტორები	პრაქტიკული სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში. ნაწილი I მეოთხე გადამუშავებული გამოცემა.	თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“	180

ანოტაცია

დამხმარე სახელმძღვანელოში განხილულია შემდეგი თემები:

- სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვებისა და პირველადი დამუშავების მეთოდოლოგია ეკონომიკასა და ბიზნესში;
- სტატისტიკური სიდიდეები და მათი გამოყენება ეკონომიკასა და ბიზნესში;
- ვარიაციული ანალიზის სტატისტიკური მეთოდები;
- დროითი (დინამიკური) მწკრივების ანალიზი;
- სტატისტიკური ინდექსები ეკონომიკასა და ბიზნესში;
- კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი ეკონომიკასა და ბიზნესში;
- შერჩევითი დაკვირვებანი ეკონომიკასა და ბიზნესში.

ყოველი თემა შედგება 4 ძირითადი კომპონენტისაგან: 1) მოკლე თეორია და მეთოდოლოგია, 2) ტიპური ამოცანების ამოხსნა, 3) ამოცანები დამოუკიდებელი მუშაობისათვის და 4) ტესტები.

დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური, ბიზნესის, სოციალურ მეცნიერებათა და სხვა ფაკულტეტების სტუდენტებისათვის. იგი დიდ დახმარებას გაუწევს ასევე პრაქტიკოს სპეციალისტებს და ამ საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს.

დამხმარე სახელმძღვანელო

3	**სიმონ გელაშვილი და სხვა თანაავტორები**	**სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის. მეოთხე გადამუშავებული გამოცემა.**	**თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“**	**194**

ანოტაცია

დამხმარე სახელმძღვანელოში განხილულია შემდეგი თემები:

- შრომის ბაზრის სტატისტიკა;
- ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის სტატისტიკა;
- მაკროეკონომიკური სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა;
- საბაზრო კონიუნქტურის სტატისტიკა;
- საფინანსო-საბანკო სტატისტიკა;
- ცხოვრების დონის სტატისტიკა;
- საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკა.

ყოველი თემა შედგება 4 ძირითადი კომპონენტისაგან: 1) მოკლე თეორია და მეთოდოლოგია, 2) ტიპური ამოცანების ამოხსნა, 3) ამოცანები დამოუკიდებელი მუშაობისათვის და 4) ტესტები.

დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური, ბიზნესის, სოციალურ მეცნიერებათა და სხვა ფაკულტეტების სტუდენტებისათვის. იგი დიდ დახმარებას გაუწევს ასევე პრაქტიკოს სპეციალისტებს და ამ საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	სიმონ გელაშვილი	სტატისტიკური ინერციულობა და R-პროგრამის გამოყენების შესაძლებლობა ეკონომიკურ პროგნოზირებაში. საერთაშორისო სამეცნიერო შრომების კრებული „თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები გლობალიზაციის პირობებში“.		თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	5

ანოტაცია

სტატიაში ნაჩვენებია, რომ ეკონომიკური პროცესების განვითარებაში სტატისტიკური ინერციულობა მჟღავნდება ორგვარი სახით: პირველი, როგორც ურთიერთკავშირების ინერციულობა, ე. ი. საპროგნოზო მოვლენის სხვა მოვლენებთან ურთიერთკავშირის მექანიზმის შენარჩუნება პერსპექტივაში და, მეორე, როგორც საპროგნოზო მოვლენის განვითარების ზოგადი ტენდენციის შენარჩუნება მომავალ პერიოდში.

თანამედროვე სტატისტიკური ანალიზისა და პროგნოზირების პროცესში ფართოდ გამოიყენება R-პროგრამა დიდი შესაძლებლობების გამო. იგი რეალურად არის პროგრამების კომპლექსი, რომელსაც შეუძლია მანიპულირება მონაცემთა დიდ მასივებზე. მისი გამოყენებით შესაძლებელია სხვადასხვა წრფივი და არაწრფივი მოდელების აგება და სათანადო ტესტების (კრიტერიუმების) გაანგარიშება, აგებული მოდელების შეფასება, პროგნოზების ვერიფიკაცია და სხვ.

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ-ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	S. Gelashvili, N. Abesaze, O. Abesadze	Expected Trends in Trade Relations between Georgia and the European Union	Folia.4, Economica	West Pomeranian University of Technology in Szczecin (Polen).	7

ანოტაცია

სტატიაში გაანალიზებულია ევროკავშირთან საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების 2005-2014 წლებში სხვადასხვა სტატისტიკური მახასიათებლების საშუალებით და დადგენილია მოსალოდნელი ტენდენციების საშუალოვადიანი პროგნოზები 2015-2020 წლებისათვის. პროგნოზირება განხორციელდა ტრენდის გამოვლენისა და პროგნოზირების მარტივი მეთოდების: საშუალო აბსოლუტური მატების და საშუალო წლიური ზრდის ტემპის, ანალიზური მეთოდის - წრფივი ფუნქციისა და შედარებით რთული მეთოდის - ავტორეგრესიისა და მცოცავი საშუალოს ტრენდული კომპონენტის დამატებით ARIMA-ს ტიპის მოდელის საფუძველზე, რომელიც მიღებულ იქნა კომპიუტერული პროგრამა Eviews-6-ის გამოყენებით.

1	S. Gelashvili, K. Marshava, N. Abesadze, M. Mindorashvili	Statistical study of supply of the graduates with the economic profile	Collection of scientific articles ,,Financial and credit activity: problems of theory and practice.”	University of banking of the National bank of Ukraine, Kharkov	7

ანოტაცია

სტატიაში გაანალიზებულია სპეციალური გამოკვლევის შედეგად მიღებული სტატისტიკური მონაცემები, კერძოდ:

- სწავლის შემდგომ დასაქმება;
- კავშირი სპეციალობასთან და მინიჭებულ კვალიფიკაციასთან;
- სამუშაოს მოძიების საშუალებები;
- სამუშაოს სტაბილურობა და სამუშაო პირობები;
- შემდგომი პროფესიული ზრდის შესაძლებლობა;
- შრომის ანაზღაურება;
- დასაქმებით კმაყოფილება, დენადობის მიზეზები და ა.შ.

ზოგადად სამუშაოს ძირითადი მახასიათებლების გამოკვეთა (პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის რეალიზაციის დონის განსაზღვრა).

კვლევის შედეგების საფუძველზე განისაზღვრა ცოდნის რეალიზაციისა და პროფესიული უნარ-ჩვევების დონე, ასევე გამოიკვეთა გარკვეული რეკომენდაციები, რომელთა შორის მნიშვნელოვანია, რომ სწავლების სისტემა გახდეს უფრო მეტად პრაქტიკაზე ორიენტირებული, გაძლიერდეს კვლევითი ინსტრუმენტების გამოყენება და სტუდენტებს მიეცეთ კვლევით პროექტებში მონაწილეობის მეტი შესაძლებლობა.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1		The Post-Soviet Economy: The Concept of Drinking Water Business Development (პოსტსაბჭოური ეკონომიკა: სასმელი წყლის ბიზნესის განვითარების კონცეფცია).	Refereed International Journal of Business and Management Studies (IJBMS), Volume 4, No 1.	USA , 2015 http://www.universitypublications.net/ijbms/0401/index.html	pp. 299-307.
2		Refereed international Journal of Business and Management Studies (IJBMS). Integration Economic Indicators of the EU and Some Issues of Development of Post-Soviet Countries – New Associate Members of the EU. (ევროკავშირის ინტეგრაციული	Moldavian Journal of International Law and International Relations. Issue 3, Volume 33 d	Moldova: http://rmdiri.md/wp-content/uploads/2015/01/RMDIRI-2014-Nr.-33.pdf#page=78	Pages 78-83. *(ინგლისურ, რუსულ და მოლდოვურ ენებზე).* (2014 წლის ანგარიშში არ

		ეკ-რი ინდიკატორები და პოსტსაბჭოური -ე.კ.-ის ახალი ასოცირებული წევრი ქვეყნების ზოგიერთი საკითხები).			ასახულა).

ანოტაციები

1. გამოკვლულია: პოსტსაბჭოთა ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ზოგადი მახასიათებლები; საქართველოსა და სხვა პოსტსაბჭოური ეკონომიკის განვითარების ზოგიერთი შედარებითი მაჩვენებელი; ეროვნული რესურსების, კონკრეტულად საქართველოს მიწისქვეშა არტეზიული სასმელი წყლის რეზერვის ამოქმედების პოტენციური შესაძლებლობანი.
2. გამოკვლეულია: ევროინტეგრაციის ორიენტაცის მქონე ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი თავისებურება; ევროკავშირის ახალი ასოცირებული წევრების (საქართველო, მოლდოვა, უკრაინა) ეკონომიკების შედარებითი მაჩვენებლები და პოტენციური შესაძლებლობები საშუალოვადიან პერიოდში.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**ა.სილაგაძე,** თ.ათანელიშვილი	FAILURE OF THE KEYNESIAN MULTIPLIER DOCTRINE:SOME ASPECTS OF INTERRELATION BETWEEN INVESTMENTS AND EMPLOYMENT (კეინზური მულტიპლიკაციური დოქტრინის უარყოფა: ინვესტიციებისა და დასაქმების ურთიერთკავშირის ზოგიერთი ასპექტი)	თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. 10-11 ივლისი, თბილისი, 2015.

ანოტაცია

მოხსენებაში ყურადღება გამახვილდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ურთიერთკავშირზე. კვლაღინიშნა, რომ პოსტსაბჭოური საქართველოს რეალობაში, კეინზური მაკროეკონომიკური მულტიპლიკატორის დოქტრინა არ მოქმედებს, რამდენადაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ვინაიდან ზრდამ იმავდროულად ვერ უზრუნველყო ახალი სამუშაო ადგილების შექმნა.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**A.Silagadze,** T.Zubiashvili	„Parameters of the European Union and the Post-Soviet Georgia's Economy" (ევროკავშირის ეკონომიკური პარამეტრები და პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივები").	Anglo-American Conference for Academic Disciplines. University of Nevada, Las Vegas (USA) 16 to 20/03, 2015. http://www.internationaljournal.org/vegas.html

ანოტაცია

მოხსენება მიეძღვნა ევროკავშირის „კონვერგენციული ეკონომიკური ინდიკატორებსა" და საქართველოს ეკონომიკის პოტენციური შესაძლებლობებს საშუალოვადიან პერსპექტივაში. გაკეთდა დასკვნა, რომ საქართველო საშუალოვადიან პერსპექტივაში უმნიშვნელოვანესი მიმართულებების მიხედვით, ვერ შეძლებს ევროკავშირის „კონვერგენციული კრიტერიუმების" დაკმაყოფილებას.

ასოცირებული პროფესორი მიხეილ თოქმაზიშვილი

* პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მიხეილ თოქმაზიშვილი	მიწის მართვის პრობლემები საქართველოში და საერთაშორისო გამოცდილება'	საქართველოს საპატრიარქოს ქართული უნივერსიტეტის სამეცნიერო კრებული	თბილისი	25

ანოტაციები

დახასიათებულია მიწის მართვის პრობლემ,ები საქართველოში, გაანალიზებულია მისი ისტორიული გამოცდილება, დარგის განვითარების თავისებურებები დაქ წინააღმდეგობები, მოცემულია რეფორმების ანალიზი და შედარებულია საზღვარგარეთის ქვეყნების, კერძოდ ევროკავშირის გამოცდილებას|თან

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2	მიხეილ თოქმაზიშვილი	Перспективы экономического сотрудничества и модели кооперацийв Деппрессивных регионах	Fostering Russia-GeorgiaNeighborly Relations through multistakeholder Networking and Expert Dialogue. Russia-Georgian Expert Dialogue: 2015	International Center on Conflict and Negotiation. ICCN. 2015	15
ანოტაციები დახასიათებულია ევროპასთან ინტეგრაციის ზემოქმდება საქართველზე, საქრთველოსა და რუსეთის ეკონომიკური ურთიერთობების შესაბამისობა ევროკავშირთან ასოცირებული ხელშკრულებით გათვალსიწნებულ ვალდებულებებთან					

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Papava V. Tokmazishvili M	Georgia. Eastern Europe, Russia and Central Asia 2016	2016	Europa /Routledge	17
ანოტაცია აღწერილია საქართველო ეკონომიკური განვითარება 90-იანი წლებიდან დღემდე, გადმოცემულია განვითარების პრობლემები, ტენდენციები, რეფორმები და პესპექტივები. გაანალიზებულია 2014 წლის მიღწევები და პრობლემები					

* სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მ. თოქმაზიშვილი	მიწის მართვის პრობლემები საქართველოში და საერთაშორისო გამოცდილება	21 ოქტომბერი, თბილისი, საქართველოს საპატრიარქოს ქართული უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენცია
ანოტაცია დახასიათებულია მიწის მართვის პრობლემ,ები საქართველოში, გაანალიზებულია მისი ისტორიული გამოცდილება, დარგის განვ ატეტბის თავისებურებები დაქ წინააღმდეგობები, მოცემულია რეფორმების ანალიზი და შედარებულია საზღვარგარეთის ქვეყნების, კერძოდ ევროკავშირის გამოცდილებას|თან			

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მ. თოქმაზიშვილი	ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის წინააღმდეგობები	21 დეკემბერი, თბილისი, საქართველოს საპატრიარქოს ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის სკოლის სამეცნიერო კონფერენცია
ანოტაცია გაანალიზებულია საქართველოს ევროკავშირთან თავოსუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ფარგლებში აღებული ვალდებულებების განხორციელების პოზიტიური მხარეები, საშიშროებები, რისკები და პერსპექტივები			

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1	მ. თოქმაზიშვილი	Assessing the Economic Impacts of Integration in the Caucasus	STOCKHOLM INTERNATIONAL PEACE RESEARCH INSTITUTE (SIPRI), CASCADE, Georgian Foundation for Strategic and International Studies (GFSI Tbilisi, 2 June 2015.
ანოტაცია დახასიათებულია ევროპასთან ინტეგრაციის ზემოქმდება საქართველზე, საქრთველოსა და რუსეთის ეკონომიკური ურთიერთობების შესაბამისობა ევროკავშირთან ასოცირებული ხელშკრულებით გათვალსიწნებულ ვალდებულებებთან			

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მ. თოქმაზიშვილი	Report on Socio-Economic Baseline study of Refugees and humanitarian status holders in Georgia	თბილისი, სასტუმრო ამბასადორი, 30 ნოემბერი UNCHR, Tbilisi 27 November 2015
ანოტაცია გაანლიზებულია საქართველოში მიგრანტთა სოციალურ-ეკონიკური მდგომაროება . მათი საჭიროებები და პრობლემები. კვლევა შესრულდა გაეროს პროგრამის ფარგლებში.			

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მ. თოქმაზიშვილი	მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ბიუჯეტების გენდერული ანალიზი და რეკომედაციები.	სასტუმრო თბილისი-მარიოტი, 30 ოქტომბერი 2015
მოხსენებათა ანოტაციები კვლევა შესრულდა ფონდი ტასოს პროგრამის ფარგლებში			

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მ. თოქმაზიშვილი	Перспективы экономического сотрудничества и модели кооперацій в Деппрессивных регионах	2015 წლის 21-23 იანვარი, სტამბული
ანოტაცია დახასიათებულია აფხაზეთთან და ცხინვალთან ვაჭრობის შესაძლებელი მოდელები			

დაწესებულება თუ საჭიროდ თვლის, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მ. თოქმაზიშვილი	გენდერული ბიუჯეტირება	გუდაური, 11-13 დეკემბერი 2015.
ანოტაცია პროექტის „გენდერული სამართლიანობის ხელშეწყობა ქალთა პოლიტიკური თანამონაწილეობის ხელშეწყობით“, ფარგლებში განხორციელდა ტრეინინგები გენდერული მეინსტრიმინგი თბილისის საკრებულოს წარმომადგენლებისათვის.			

ასოცირებული პროფესორი თამაზ ზუბიაშვილი

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ა. სილაგაძე, თ. ზუბიაშვილი	Parameters of the European Union and the Post-Soviet Georgia’s Economy.	Volume 4, No 2. 2015	აშშ	10

2	თ. ზუბიაშვილი	International Journal of Business and Management Studies Contemporary Migratory Situation in Georgia. International Journal: Humanities and Social Sciences Review	Volume 03, Number 04, 2015	აშშ	6

ანოტაციები

1. ნაშრომში განხილულია ევროკავშირის "კონვერგენციული ეკონომიკური ინდიკატორები" და საქართველოს ეკონომიკის პოტენციური შესაძლებლობები საშუალოვადიან პერსპექტივაში. გაკეთებულია დასკვნა, რომ საქართველო საშუალოვადიან პერსპექტივაში უმნიშვნელოვანესი მიმართულების მიხედვით, ვერ შეძლებს ევროკავშირის "კონვერგენციული კრიტერიუმების" დაკმაყოფილებას.

2. ნაშრომში გამოკვლეულია თანამედროვე ეტაპზე საქართველოში არსებული მიგრაციული სიტუაცია; მიგრაციული პროცესების მნიშვნელოვანი ცვლილებები 1990-იანი წლების მიჯნაზე; მიგრაციის ინტენსივობა, მიგრაციულ ნაკადთა მიმართულებები და სექსობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა; მიგრანტთა დასაქმების პრობლემები.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	თ. ზუბიაშვილი	"Contemporary Migratory Situation in Georgia."	University of Barcelona, Spain. June 23-26, 2015.
2	ა. სილაგაძე, თ. ზუბიაშვილი	Parameters of the European Union and the Post-Soviet Georgia's Economic Prospects.	University of Nevada, Las Vegas (USA) 16 to 20/03, 2015.
3	თ. ზუბიაშვილი	"Migration Data Management in Georgia."	Hungary, Budapest, 5-6 March 2015

მოხსენებათა ანოტაციები

1. მოხსენება ეხება თანამედროვე ეტაპზე საქართველოში არსებულ მიგრაციულ სიტუაციას; მიგრაციული პროცესების მნიშვნელოვან ცვლილებებს 1990-იანი წლების მიჯნაზე; მიგრაციის ინტენსივობს, მიგრაციულ ნაკადთა მიმართულებებს და სექსობრივ-ასაკობრივ სტრუქტურას; მიგრანტთა დასაქმების პრობლემებს საზღვარგარეთის ქვეყნებში.

2. მოხსენება ეხება ევროკავშირის "კონვერგენციულ ეკონომიკურ ინდიკატორებს" და საქართველოს ეკონომიკის პოტენციურ შესაძლებლობებს საშუალოვადიან პერსპექტივაში. გაკეთებულია დასკვნა, რომ საქართველო საშუალოვადიან პერსპექტივაში უმნიშვნელოვანესი მიმართულების მიხედვით, ვერ შეძლებს ევროკავშირის "კონვერგენციული კრიტერიუმების" დაკმაყოფილებას.

3. მოხსენება ეხება მიგრაციის მონაცემთა მენეჯმენტს პოსტ-საბჭოთა საქართველოში; ქვეყნის შიგნით მიგრანტთა და საერთაშორისი მიგრაციის აღრიცხვის წყაროებს, მოსახლეობის აღწერის მიმდინარე აღრიცხვას და არსებულ სტატისტიკურ მასალებს, მის დადებით და ნაკლოვან მხარეებს.

ასოცირებული პროფესორი ეკა სეფაშვილი

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ეკა სეფაშვილი	ევროკავშირში ინტეგრაცია: აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების საგარეო ვაჭრობის პერსპექტივები	30 ოქტომბერი, 2015 წ. ბუქარესტი, რუმინეთი.

ანოტაცია

ასოცირების შეთანხმება ევროკავშირთან თანამშრომლობის ყველა ასპექტს მოიცავს. შეთანხმება ოთხი ნაწილისაგან შედგება: პოლიტიკური დიალოგი და თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში; სამართლიანობა, თავისუფლება და უსაფრთხოება, სექტორული ნაწილი და ვაჭრობასთან დაკავშირებული ნაწილი. ეს უკანაკნელი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმებას გულისხმობს. იგი ასოცირების შეთანხმების ერთ-ერთი, კერძოდ, მეოთხე თავია.

სტატიაში გაანალიზებულია აღმოსავლეთ პარტნირობის ქვეყნების ევროაკავსირთან მიმდინარე ვაჭრობა და მისი განვითარების პერსპექტივები.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ეკა სეფაშვილი	ევროკავშირში ინტეგრაცია:	29 ივნისი, 2015წ.

		აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების საგარეო ვაჭრობის პერსპექტივები	ვარესე, იტალია

ანოტაცია

ასოცირების შეთანხმება ევროკავშირთან თანამშრომლობის ყველა ასპექტს მოიცავს. შეთანხმება ოთხი ნაწილისაგან შედგება: პოლიტიკური დიალოგი და თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში; სამართლიანობა, თავისუფლება და უსაფრთხოება, სექტორული ნაწილი და ვაჭრობასთან დაკავშირებული ნაწილი. ეს უკანაკნელი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმებას გულისხმობს. იგი ასოცირების შეთანხმების ერთ-ერთი, კერძოდ, მეოთხე თავია.

სტატიაში გაანალიზებულია აღმოსავლეთ პარტნირობის ქვეყნების ევროაკავსირთან მიმდინარე ვაჭრობა და მისი განვითარების პერსპექტივები.

ასოცირებული პროფესორი ნინო პაპაჩაშვილი

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**ნინო პაპაჩაშვილი**	**რუსეთის ეკონომიკა**	ელექტრონული სალექციო კურსი	120 გვ.

ანოტაცია

სალექციო კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ეკონომიკური გლობალიზაცია და რუსეთი; ეროვნული ეკონომიკის მაჩვენებლები, რუსეთის ეკონომიკის მაჩვენებლები; საბაზრო ეკონომიკის მოდელები, საბაზრო ეკონომიკის რუსული მოდელი; რეგიონები რუსეთის ეკონომიკურ სისტემაში; რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში; რუსეთის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი; რუსეთის მანქანათმშენებლობა, თავდაცვითი-სამრეწველო კომპლექსი და მშენებლობა; რუსეთის აგროსამრეწველო კომპლექსი; საკუთრების ფორმები რუსეთში; კონკურენტული გარემოს ფორმირების პირობები რუსეთში.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის	ჟურნალის/ კრებულის	გამოცემის ადგილი,	გვერდების რაოდენობა

		დასახელება	ნომერი	გამომცემლობა	
1	**ნინო პაპაჩაშვილი**	**ოქროს ბიბლიური გააზრების შესწავლისათვის,** ჟ. ქრისტიანობა და ეკონომიკა	VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული	თბილისი-ბათუმი, 2015, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ	7 გვ. (88-94)

ანოტაცია

ოქროს ბიბლიური გააზრების შესწავლისათვის

ნაშრომში წარმოდგენილია ოქროს ბიბლიური გააზრების საკითხის შესწავლის მცდელობა. აღნიშნულია, რომ ოქრო უხსოვარი დროიდან იპყრობს ადამიანთა ყურადღებას; ოქრო ასრულებდა ფულის ფუნქციას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ადამიანები ოქროს იყენებდნენ როგორც სიმდიდრის დაგროვების ერთდერთ ყველაზე საიმედო საშუალებას; იგი დღემდე ინარჩუნებს ეკონომიკური თვალსაზრისით სარეზერვო აქტივის ფუნქციას. დღემდე ძალიან დიდია ადამიანთა მისწრაფებაც ამ ლითონისადმი. ნაშრომში მოცემულია ზოგიერთი მოსაზრება იმის შესახებ, თუ ძირითადად რა კონტექსტი უდევს ოქროს მოხსენიებას ბიბლიაში. ნაშრომში თავმოყრილი და დაჯგუფებულია ოქროსთან მიმართებები: ოქრო როგორც შესაწირავი და გადახდის საშუალება; ოქრო როგორც მასალა; ოქროზე მუშაობა - საქმიანობის სახეობა; ოქრო როგორც ღირებულების საზომი.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**ნინო პაპაჩაშვილი**	**თანამედროვე პროტექციონიზმსა და საერთაშორისო ვაჭრობის თეორიებს შორის წინააღმდეგობების ზოგიერთი ასპექტი** (Some Aspect of Controversies between Modern Protectionism and International Trade Theories)	**III საერთაშორისო კონფერენცია - „სტრატეგიკა“,** 2015 წლის 29-30 ოქტომბერი, **ბუქარესტი (რუმინეთი),** რუმინეთის პოლიტიკურ მეცნიერებათა და საჯარო ადმინისტრირების ეროვნული უნივერსიტეტი და რუმინეთის ეროვნული ბანკი.

მოხსენებათა ანოტაციები

თანამედროვე პროტექციონიზმსა და საერთაშორისო ვაჭრობის თეორიებს შორის წინააღმდეგობების ზოგიერთი ასპექტი

მოხსენება მიეძღვნა თანამედროვე გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის პერიოდში საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ძირითადი ტენდენციებს და გარკვეული ასპექტით

ემსახურებოდა პასუხის გაცემას კითხვაზე: ეს პოლიტიკა ეწინააღმდეგება თუ არა თავისუფალი ვაჭრობის თეორიის ძირითად მიმდინარეობას ეკონომიკური კრიზისის დროს? ჯერ კიდევ არ არის საბოლოო პასუხი ამ კითხვაზე, მაგრამ შედეგების ანალიზი აჩვენებს, რომ სავაჭრო პროტექციონიზმს უფრო ღრმა ფესვები აქვს ეკონომიკურ სისტემის შიგნით და ისინი იზრდება კრიზისისა და მის შემდგომ პერიოდში. სავაჭრო პროტექციონიზმის ზრდა ასახავს სისტემურ ეკონომიკურ კრიზისს. რაც უფრო მაღალია მსოფლიო ეკონომიკაში ქვეყნის ინტეგრაციის დონე, მით უფრო მეტია კრიზისული ვითარებიდან ზიანის მასშტაბი. ყველა ქვეყანა, როგორც ეკონომიკური სისტემა, ავლენს თვითგადარჩენის ინსტინქტს კრიზისის პერიოდში. რაც უფრო მაღალია გახსნილობის დონე ქვეყანაში, უფრო მეტი პროტექციონისტული ზომებით იცავს იგი შიდა დარგებს უცხოური კონკურენციისგან. კვლევის შედეგებიდან ძირითად ვლინდება, რომ, რომ 2008 წლის შემდეგ საერთაშორისო ვაჭრობის გაიზარდა, მიუხედავად იმისა, რომ იზრდება არასატარიფო ბარიერები; კვლევის შედეგად დადგინდა, პარადოქსული სურათი: არ არსებობს პირდაპირი კორელაცია არასატარიფო ბარიერების ზრდასა და საერთაშორისო ვაჭრობის შემცირებას შორის (როგორც მოსალოდნელი იყო). განხილული ვითარება შეიძლება მივიჩნიოთ როგორც სავაჭრო პოლიტიკის თავისებურება ეკონომიკური კრიზისის დროს (ანრეცესიის პერიოდში) და თეორიული თვალსაზრისით, ასეთ შემთხვევებაში სავაჭრო პოლიტიკის ანალიზისთვის საჭიროა ორიგინალური მიდგომები.

ასოცირებული პროფესორი რამაზ ფუტკარაძე

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	რამაზ ფუტკარაძე	თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომების კრებული, 2015	თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა (იბეჭდება)	7

ანოტაციები

საქართველოს საგარეო ვაჭრობის აქტუალური საკითხების შესახებ

საქართველოს ეკონომიკური განვითარება და მსოფლიო ეკონომიკაში შემდგომი ინტეგრაცია მოითხოვს ექსპორტის გაზრდასა და ინვესტიციების მოზიდვას. ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება და ახალი პერსპექტივები, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, და სხვა მრავალი ფაქტორი წარმოადგენს მყარ საფუძველს საქართველოში ბიზნესის დაწყებისა და მისი წარმატებული განვითარებისათვის.

ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად პრინციპს საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის. ყურადსაღებია ის გარემოება, რომ საქართველოში განხორციელებულ იქნა როგორც სატარიფო პოლიტიკისა, ასევე

ტექნიკური რეგულირების სფეროს რეფორმა, რის შედეგადაც საქართველოს დღეისათვის გააჩნია რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა.
ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს საგარეო ვაჭრობისათვის დამახასიათებელი ძირითადი თავისებურებები თანამედროვე ეტაპზე.
აღნიშნულია, რომ სასურველია გაუმჯობესდეს საქართველოს პოზიციები საერთაშორისო რეიტინგებში, ასე მაგალითად, საქართველომ უნდა გაიუმჯობესოს პოზიციები საერთაშორისო რეიტინგებში. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსს), საქართველო 69-ე პოზიციაზე იმყოფება. აუცილებელია საქართველოს ექსპორტის მოცულობის გაზრდა და მისი დივერსიფიკაცია.

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	რამაზ ფუტკარაძე	საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების აქტუალური საკითხები	მეორე საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის შრომების კრებული „ქვეყნების ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკაში.	უკრაინა, დონეცკი, 2015 (იბეჭდება)	3

ანოტაცია

საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების აქტუალური საკითხები

საქართველო, ერთ-ერთი პოსტსაბჭოთა ქვეყანაა რომელიც დგას საბაზრო ურთიერთობების გზაზე. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანა გაწევრიანდა მრავალ საერთაშორისო ორგანიზაციაში (სსფ, მსოფლიო ბანკი, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია და სხვ.). ქვეყანამ წარმატებით განახორციელა არაერთი სოციალურ-ეკონომიკური რეფორმა და მტკიცედ ადგას დემოკრატიისა და მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის გზას. თანამედროვე ეტაპზე ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ძირითადი ვექტორი არის ევროკავშირთან დაახლოება და ასევე ნატოსთან დაახლოება და გაწევრიანება. საქართველოსათვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო თანამეგობრობის წევრ ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება და განმტკიცება. საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობა აქვს მის სტრატეგიულ პარტნიორთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების მასშტაბების გაზრდა.
წინამდებარე ნაშრომში მოკლედაა განხილული საქართველოს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში, ისეთი მნიშვნელოვან საკითხები, როგორიცაა: საგარეო ვაჭრობა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ფულადი გზავნილები.

ასოცირებული პროფესორი ლელა ბახტაძე

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ე. ბარათაშვილი, ა. აბრალავა, ლ. ბახტაძე, რ. კაკულია	გადასახადები და საგადასახადო დაბეგვრა	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. შაფინანსო–ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სასაწავლო სამეცნიერო კვლევითი ცენტრი	397

ანოტაციები

სახელმძღვანელოში განხილულია გადასახადებისა და საგადასახადო დაბეგვრის თეორიისა და პრაქტიკის აქტუალური საკითხები. საბაზრო ეკონომიკური სისტემის ფორმირება-განვითარების პირობებში სახელმძღვანელოს უმნიშვნელოვანესი თავისებურება და ღირსება მდგომარეობს საგადასახადო სისტემის ახლებურად ჩამოყალიბებაში. უკუგდებულია გადასახადების, სახელმწიფო ბიუჯეტისა და სხვა ფინანსური მოვლენებისა და პროცესების ძველებური დრომოჭმული გაგება. მათი არსი გადმოცემულია თანამედროვე ეკონომიკურ თეორიასთან მისადაგებით.

სახელმძღვანელო განკუთვნილია უნივერსიტეტებისა და უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკისა და ბიზნესის პროფილის სტუდენტებისთვის. მას ასევე მნიშვნელოვანი სარგებლობის მოტანა შეუძლია ბიზნესმენებისა და ამ საკითხებით დაინტერესებული მკითხველებისთვის.

ასოცირებული პროფესორი ჯემალ ხარიტონაშვილი

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ჯ. ხარიტონაშვილი	ანტუან მონკრეტიენი(1575-1621) პოლიტიკური ეკონომიის	N 1, 2015 წ.	თსუ	10

		სათავეებთან(და ბადებიდან 440 წელი) ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი.	2015 წ.		4
2	ჯ. ხარიტონაშვილი	ვასილ ჩანტლაძე- ეკონომიკური აზრის მკვლევარი(დაბადებიდან 110 წელი-1904-1995) კრებული- „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განითარების აქტუალური პრობლემები“	ბათუმი 2015 წ.	თსუ	5
3	ჯ. ხარიტონაშვილი	ადრეული ქრისტიანობის ეკონომიკური შეხედულებები. კრებული- „ქრისტიანობა და ეკონომიკა“		თსუ	

ანოტაციები

ანტუან მონკრეტიენი(1575-1621) „პოლიტიკური ეკონომიის“ სათავეებთან (დაბადებიდან 440 წელი)

ა. მონკრეტიენმა ეკონომიკურ ლიტერატურაში პირველმა შემოიტანა ტერმინი „პოლიტიკური ეკონომია”. 1615 წ. საფრანგეთის ქალაქ რუანში მან გამოქვეყნა წიგნი „პოლიტიკური ეკონომიის ტრაქტატი,“ რომლითაც მტკიცედ დაიმკვიდრა საპატიო ადგილი ეკონომიკური აზრის ისტორიაში. ა. მონკრეტიენის მიერ, პოლიტიკური ეკონომია უპირატესად განიხილებოდაროგორც მეცნიერება სახელმწიფო მეურნეობის შესახებ. აღნიშნულ ნაწარმოებში ა. მონკრეტიენიამოცანად აყენებდა გამოეძებნათ საშუალებები საფრანგეთის სახალხო მეურნეობის აღმავლობისათვის. ა. მონკრეტიენი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას. მისი აზრით, პოლიტიკა დამოკიდებულია ეკონომიკაზე, ხოლო სახელმწიფოებრივი ორგანიზმის კეთილდღეობა-მისი შემადგენელი ელემენტების კეთილდღეობაზე. ამიტომ, გონიერი მმართველი, მისი თქმით, თავის ქვეშევრდომთა კეთილღეომაზე, მათ გამდიდრებზე უნდა ზრუნავდეს. ა. მონკრეტიენი მთელ რიგ ღონისძიებებს სახავდა მრეწველობის აღმავლობისათვის, ხელოსნობის და ვაჭრობის განვითარებისაათვის. ა. მონკრეტიენი მივიდა ძალზე თანამედროვე დასკვნამდე, რომ წარმოების და ვაჭრობის განვითარებისათვის ხელის შეწყობა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. „პოლიტიკური ეკონომიის ტრაქტატში“ საქმის ცოდნით არის განხილული ფრანგული მრეწველობის სხვადასხვა დარგი, იმდროინდელი მდგომარეობის და პერსპექტივის გათვალისწინებით. ა. მონკრეტიენის აზრით, ეროვნული მრეწველობის დარგების განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს: 1. უპირველეს ყოვლისა, მრეწველობა აუცილებელია სამრეწველო პროდუქტთა დასამზადებლად, „საგანთათვის ფორმის მისანიჭებლად“. იგი ქმნის საქონელს, რომელიც ქვეყანაში ოქროს და ვერცხლს იზიდავს; 2. მრეწველობის განვითარება ხელს უწყობს და განაპირობებს

ვაჭრობის განვითარებას; 3. მრეწველობის განვითარება სახელმწიფოს შესაძლებლობას აძლევს მასში ჩააბას გაღატაკებულ ადამიანთა მასები, გააჯანსაღოს სახელმწიფო ორგანიზმი და შეამციროს დანაშაულებები.

ა. მონკრეტიენს ფიზიკური და სოციალური ხასიათის სნეულებათა განკურნვის საუკეთესო საშუალებად ადამიანთა სამრეწველო საქმიანობაში ჩაბმა მიაჩნდა.

ზემოთ ჩამოთვლილი სარგებლობიდან, რაც სახელმწიფოსთვის მრეწველობას მოაქვს, ა. მონკრეტიენი პირველ ადგილზე საქონლისა, და, შესაბამისად სიმდიდრის შეძენას აყენებდა. სიმდიდრეს ადარებდა სისხლს, ხოლო მრეწველობას- გულს.

*****

დაბოლოს, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც მონკრეტიენის, ასევე ყველა ცნობილი ეკონომისტის თეორიული მემკვიდრეობა, მეტ-ნაკლები ზომით გამოყენებულ უნდა იქნეს ახალი საზოგადოებრივი სისტემის მშენებელ ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით საქართველოში, რომელიც ბევრი გადაუჭრელი პრობლემის წინაშე დგას. თანაც გასათვალისწინებელია ისიც, რომ როგორც აკად. ვ. პაპავა თავის პოლიტეკონომიურ საუბრებში მიუთითებს : „ხშირად ხდება, როცა ტრანზაქციული ხარჯები არ არის ცნობილი და მოვლენებს მხოლოდ პოსტფაქტუმ ვაფასებთ...ამის მიზეზი სხვა გარემოებებთან ერთად ისიცაა, რომ ეკონომიკური პოლიტიკა ხშირად წინ უსწრი, ამას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს: 1) თეორიის არ არსებობა; 2) თავად მოდელის ჩამოუყალიბებლობა და 3) ცოდნის არ არსებობა“. იგივე ასპექტით, საკამათოა ნობელიანტ მ. ფრიდმენის შეხედულება, იმის შესახებ, რომ ეკონომიკური მოძღვრებების შესწავლის დროს უნდა მივმართოთ „ავტობიოგრაფიებს, ბიოგრაფიებს... სტიმული მივცეთ აფორიზმების, მაგალითების გამოყენებას და არა სილოგიზმებს(დედუქციური დასკვნა) ან თეორემებს . თუმცა აღიარებულია, რომ „ეკონომიკურ მეცნიერებაში ერთ-ერთი ცენტრალური ცნებაა „თეორია“.

ა. მონკრეტიენის თეორიიდან ბევრი რამ შეიძლება გავიზიაროთ. პირველ რიგში ეკონომიკის და პოლიტიკის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. მათ შორისაა მრეწველობის განვითარების იდეაც, რადგან მრეწველობა არის თანამედროვე ეკონომიკის ყველაზე ფუნდამენტური დარგი. კურსის აღება მხოლოდ ინფრასტრუქტურის და ტურიზმის განვითარებაზე, არასაკმარისია. სოფლის მეურნეობის გამოცხადებაც პრიორიტეტულ დარგად საჭიროა დროის გარკვეულ მონაკვეთში, მაგრამ არა მუდმივად. განვითარებადი ქვეყნებისათვის მნიშვნელოვანია საექსპორტო ინდუსტრია მათ აღარ აწყობთ სიღატაკის ეკონომიკა, მათ უნდათ განვითარების ეკონომიკა.

ვასილ ჩანტლაძე- ეკონომიკური აზრის მკვლევარი(დაბადებიდან 110 წელი (1904-1995)

აკად. ვ. ჩანტლაძეს დიდი წვლილი მიუძღვის ფინანსური თეორიების მეცნიერულ და-მუშავებაში. მისი ნაშრომები ეძღვნება ასევე, ეკონომიკური აზრის ისტორიის კვლევას.1959 წ. აკად. ვ. ჩანტლაძემ გამოაქვეყნა ნაშრომი „სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებები“. მასში აღნიშნულია, რომ ს.-ს. ორბელიანმა დააყენა მნიშვნელოვანი ეკონომიკური პრობლემა- სიმდიდრის არსისა და მისი წარმომავლობის შესახებ. მითითებულია, რომ სულხანი სიმდიდრის წყაროს ეძებდა არა ვაჭრობაში არამედ, სოფლის მეურნეობაში. ეს პოზიცია ს.-ს. ორბელიანმა ფიზიოკრატებამდე მესამედი საუკუნით ადრე გამოხატა.

1992 წ. აკად. ვ. ჩანტლაძემ თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობა დააგვირგვინა ფუნდამენტური ნაშრომის „ შოთა რუსთაველის ეკონომიკური შეხედულებები“ გამოქვეყნებით. მასში მოცემულია რუსთაველის ეპოქის ეკონომიკურ-პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობის ზოგადი დახასიათება; შესწავლილია რუსთაველის შეხედულებები სიმდიდრის, შრომისა და მოცალეობის შესახებ; გაანალიზებულია

რუსთაველის აზრი წარმოების, გაცვლის, განაწილების, მოხმარების საკითხებზე; გარჩეულია რუსთაველის შეხედულებები ფულის, ვაჭრობის, ტრანსპორტის და სახელმწიფო ფინანსების დარგში.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ჯ. ხარიტონაშვილი	ვასილ ჩანტლაძე- ეკონომიკური აზრის მკვლევარი(დაბადებიდან 110 წელი 1904-1995)	10-11 ივლისი 2015 წ. თსუ, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
2	ჯ. ხარიტონაშვილი	ადრინდელი ქრისტიანობის ეკონომიკური შეხედულებები	5-6 სექტემბერი 2015 წ. ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მოხსენებათა ანოტაციები

ვასილ ჩანტლაძე- ეკონომიკური აზრის მკვლევარი(დაბადებიდან 110 წელი

აკად. ვ. ჩანტლაძეს დიდი წვლილი მიუძღვის ფინანსური თეორიების მეცნიერულ და-მუშავებაში. მისი ნაშრომები ეძღვნება ასევე, ეკონომიკური აზრის ისტორიის კვლევას.1959 წ. აკად. ვ. ჩანტლაძემ გამოაქვეყნა ნაშრომი „სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებები“. მასში აღნიშნულია, რომ ს.-ს. ორბელიანმა დააყენა მნიშვნელოვანი ეკონომიკური პრობლემა- სიმდიდრის არსისა და მისი წარმომავლობის შესახებ. მითითებულია, რომ სულხანი სიმდიდრის წყაროს ეძებდა არა ვაჭრობაში არამედ, სოფლის მეურნეობაში. ეს პოზიცია ს.-ს. ორბელიანმა ფიზიოკრატებამდე მესამედი საუკუნით ადრე გამოხატა.

1992 წ. აკად. ვ. ჩანტლაძემ თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობა დააგვირგვინა ფუნდამენტური ნაშრომის „ შოთა რუსთაველის ეკონომიკური შეხედულებები“ გამოქვეყნებით. მასში მოცემულია რუსთაველის ეპოქის ეკონომიკურ-პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობის ზოგადი დახასიათება; შესწავლილია რუსთაველის შეხედულებები სიმდიდრის, შრომისა და მოცალეობის შესახებ; გაანალიზებულია რუსთაველის აზრი წარმოების, გაცვლის, განაწილების, მოხმარების საკითხებზე; გარჩეულია რუსთაველის შეხედულებები ფულის, ვაჭრობის, ტრანსპორტის და სახელმწიფო ფინანსების დარგში.

ადრეული ქრისტიანობის ეკონომიკური შეხედულებები

ქრისტიანობა წარმოიშვა რომის იმპერიაში. მან მემკვიდრეობა მიიღო ანტიკურობიდან და განსაკუთრებული როლი შეასრულა შუა საუკუნეების ისტორიაში.

ანტიკური ქრისტიანობა აღიარებდა, რომ ღმერთის წინაშე ყველა ადამიანი თანასწორია და დედამიწაზე ცხოვრების დროს ისინი უნდა ცდილობდნენ დაიმსახურონ საიქიო ნეტარება. შემდგომში ეკლესიამ ცნო კერძო საკუთრება . კათოლიკური ღვთისმეტყველების და საეკლესიო იურისტების(კანონისტების) მიხედვით იდეალურია საერთო საკუთრება, ამავე დროს კერძო საკუთრებაც აუცილებელია.თ. აქვინელი ეთანხმებოდა აზრს, რომ ნივთები ეკუთვნის ღმერთს, ხო-
ლო ადამიანებს დროებით შეუძლიათ მათით ისარგებლონ. იმავე დროს იგი აცხადებდა,

რომ კერძო საკუთრება აუცილებელია საერთო სიკეთისათვის. თ. აქვინელის მოძღვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამართლიანი ფასების თეორიას. მისი მტკიცებით, სამართლიანი ფასიუნდა ემყარებოდეს გაცვლის ობიექტურ პირობებს.

შუა საუკუნეების მართლმადიდებლურ ეკონომიკურ აზრში თავისიგამოხატულება ჰპოვა მე-ვახშეობის საკითხმა. ეკლესია კრძალავდა ხუცესთა მევახშეობას, ერისკაცებისაგან კი მოითხოვდა არ აედოთ მაღალი პროცენტი. ქართველი მოაზროვნე ს.-ს. ორბელიანი გამოდიოდა წრეგადასული მევახშეობის წინააღმდეგ. იგი სიმდიდრის წყაროდ აღიარებდა წარმოების სფეროს მიწათმოქმედებას და არა მიმოქცევის სფეროს, ვაჭრობას.

დღესაც ღვთისმეტყველები წუხილს გამოთქვამენ მევახშეობის პრობლემაზე. მათში აქტუალურია მდგრადი ეკონომიკის თემაც.

ასისტენტ-პროფესორი ლელა ჯამაგიძე

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ლელა ჯამაგიძე	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ინსტიტუციური და რეგიონის განვითარების კონტექსტით	29-30 ოქტომბერი, ბუქარესტი, რუმინეთი

ანოტაცია

მოხსენებაში განხილულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ინსტიტუციური გარემოს თავისებურებები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში და გაანალიზებულია რეგიონის დონეზე პუი-ს მოზიდვის შესაძლებლობები. ავტორი მიიჩნევს, რომ პუი-ს ხელმშემწყობი ინსტიტუტციური გარემოს ფორმირება, რეგიონის შიგნით ინსტიტუციური კონკურენციის მიდგომის ნაცვლად, უნდა ეფუძნებოდეს მთლიანად რეგიონის განვითარების ხედვას.

ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულება აერთიანებს შვიდ კათედრას:

1. ***ფინანსებისა და საბანკო საქმე;***
2. ***ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი;***
3. ***საერთაშორისო ბიზნესი;***
4. ***მენეჯმენტი და ადმინისტრირება;***
5. ***მარკეტინგი;***
6. ***ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი;***
7. ***ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკასა და ბიზნესში.***

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: ***ფინანსები და საბანკო საქმის კათედრა***

2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ***პროფესორი ირაკლი კოვზანაძე***

3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბარბაქაძე
ასოცირებული პროფესორი ავთანდილ ჩუთლაშვილი
ასოცირებული პროფესორი მიხეილ ჩიკვილაძე
ასოცირებული პროფესორი ემზარ ჯგერენაია
ასოცირებული პროფესორი ლეილა ღუდუშაური
ასისტენტ პროფესორი ირაკლი ასლანიშვილი
ასისტენტ პროფესორი ნატო კაკაშვილი

პროფესორი ირაკლი კოვზანაძე

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Ковзанадзе И. К.	Уроки мирового экономического кризиса и формирование новой модели развития	г. Тбилиси (გადაცემულია დასაბეჭდად)	235

ანოტაცია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის ირაკლი კოვზანაძის რუსულენოვანი მონოგრაფია «Уроки мирового экономического кризиса и формирование новой модели развития» არის ავტორის ნაშრომთა სერიის გაგრძელება ეკონომიკური კრიზისების ბუნების და მათი დაძლევის გზების სფეროში. მონოგრაფია მიძღვნილია ერთ–ერთ ყველაზე დამანგრეველი კრიზისისადმი უკანასკნელი 70 წლის განმავლობაში, რომელმაც გლობალური ხასიათის შეძენის შემდეგ მოიცვა პრაქტიკულად ყველა ქვეყანა.

აანალიზებს რა ამ სფეროში სხვადასხვა სკოლების ეკონომისტთა გამოკვლევებს, კრიზისების დაძლევის ისტორიულ და თანამედროვე გამოცდილებას, მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მიმდინარე ტენდენციებს, ავტორი გვთავაზობს თავის შეხედულებებს

კრიზისების დაძლევის შესაძლო გზებისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების შესახებ. მონოგრაფია განკუთვნილია როგორც მაკროეკონომიკის, გეოპოლიტიკის, საბანკო ბიზნესის სპეციალისტებისათვის, ისე მკითხველთა ფართო წრისათვის.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ირაკლი კოვზანაძე (მონაწილე)	The Sovereign Wealth Fund Institute (SWFI): The Institute Fund Summit Asia, Seoul	2015 წლის აპრილი, სამხრეთ კორეა, სეული
2	ირაკლი კოვზანაძე (მონაწილე)	The Sovereign Wealth Fund Institute (SWFI): The Institute Fund Summit	2015 წლის ივლისი, აშშ, ნიუ იორკი

ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბარბაქაძე

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ხათუნა ბარბაქაძე	კორპორატიული მართვისა და საკუთრების მაჩვენებლების შესახებ. ჟურნალი “ბიზნესი და კანონმდებლობა”	№1	თბილისი	7

ანოტაცია

კორპორატიული მართვისა და საკუთრების მაჩვენებლების შესახებ

ქვეყნის ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანია, როგორც კერძო სექტორისა და მეწარმეობის განვითარება, ასევე, საკუთრების დაცვა, რომელიც უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი სამართლებრივი ბაზის საფუძველზე. როგორც წესი, ინვესტორს არ გაუჩნდება

სურვილი ფული დააბანდოს ისეთ ქვეყანაში, სადაც არ არსებობს მისი საკუთრების ეფექტური კონტროლისა და დაცვის მექანიზმები. სწორედ ამიტომ, კორპორაციული მართვის მნიშვნელობა განსაკუთრებით აქტუალური გახდა.

კომპანიების ეფექტიანი საქმიანობა დამოკიდებულია კორპორატიული მართვის ხარისხზე და მისი მთავარი ორგანოს - დირექტორთა საბჭოს მუშაობაზე,ასევე მარეგულირებელ ნორმებზე, ტრადიციებსა და სოციალურ ფასეულობებზე. კორპორაციული მართვა განსხვავებულია ქვეყნებისა და კომპანიების ტიპის მიხედვით. თუ როგორი სახის მართვის ორგანოები არსებობს ქვეყანაში, როგორია მათი უფლებამოსილებები, კომპეტენცია და მათი პასუხისმგებლობის საკითხები მნიშვნელოვანია ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვისათვის.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში კომპანიებისათვის განსაკუთრებით აქტუალურია ეკონომიკური ღირებულების მართვის ამოცანა, რადგან ღირებულებების მართვის მიდგომების გამოყენება არის კომპანიის ღირებულების ზრდის პოტენციალი. ჩვენი აზრით, ღირებულების მართვის სისტემის გამოყენებით მიღებული სარგებელი არსებითი უნდა იყოს კომპანიებისათვის. წარმატების მთავარი ფაქტორი ხელმძღვანელობის აქტიური მხარდაჭერაა, ხოლო მხარდაჭერის არარსებობა დიდი ალბათობით არის რისკის ფაქტორი.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნატო კაკაშვილი; ხათუნა ბარბაქაძე	სადაზღვევო კომპანიების საინვესტიციო პოლიტიკა	თსუ პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: "თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში" 23-24 ოქტომბერი, თბილისი.
2.	ხათუნა ბარბაქაძე	ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესახებ	აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისათვისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები" 10-11 ივლისი, თბილისი.
3.	ხათუნა ბარბაქაძე	კორპორატიული მართვის მოდელების შესახებ	პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე:

4.	ხათუნა ბარბაქაძე	საინვესტიციო პროექტების შეფასების შესახებ	"თანამედროვე მენეჯმენტი: პრობლემები, ჰიპოტეზები, კვლევები", 24, 25, 26 ივნისი, ბათუმი. უნივერსიტეტთაშორისი სამეცნიერო კონფერენცია: "ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური საკითხები", 5-6 ივნისი, ახალციხე

ანოტაცია
სადაზღვევო კომპანიების საინვესტიციო პოლიტიკა

სადაზღვევო კომპანიები დამოუკიდებლად ამუშავებენ ინვესტიციურ პოლიტიკას, მათ მიერ სადაზღვევო პორტფელის ჩამოყალიბების საფუძველზე. სახელმწიფო რეგულირება პირველ ყოვლისა ეხება საინვესტიციო საქმიანობის პრინციპების შესრულებას, ეკონომიკურ ნორმატივებსა და მოთხოვნებს. სადაზღვევო კომპანიების აქტივების განაწილება ხორციელდება მეცნიერული და პრაქტიკულად დაფუძნებული ლიკვიდურობის, უკანდაბრუნებადობის, შემოსავლიანობისა და აქტივების დივერსიფიკაციის პრინციპების გათვალისწინებით.სადაზღვევო კომპანიისათვის აუცილებელია საინვესტიციო საქმიანობის განხორციელება, რომ შეინარჩუნოს ფინანსური მდგრადობა და იყოს კონკურენტუნარიანი. სადაზღვევო კომპანიამ უნდა შეიმუშაოს საინვესტიციო პოლიტიკა, განახორციელოს საინვესტიციო საქმიანობის ორგანიზება, შეადგინოს საქმიანობის აღრიცხვა.

სადაზღვევო კომპანიები, რომელთაც გააჩნიათ განსხვავებული სადაზღვევო პორტფელი, აყალიბებენ განსხვავებულ საინვესტიციო პორტფელს. ამასთან, იყენებენ რისკის შეფასების მეთოდებს. შესაბამისად, სადაზღვევო კომპანიის საინვესტიციო პოლიტიკა განისაზღვრება იმ სადაზღვევო ოპერაციებით, რომლებსაც ის ატარებს.

ანოტაცია
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესახებ

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - ეს არის კრედიტზე რთული საპროცენტო განაკვეთი, რომელიც გაანგარიშებულია იმის ვარაუდით, რომ მოცემული კრედიტის მისაღებად აუცილებელი ყველა გადასახადი საჭიროა სესხის დასაფარავად. მარტივი სასესხო ოპერაციების შემთხვევაშიც კი შეუძლებელია ეფექტიანი საპროცენტო განაკვეთის ზუსტი მნიშვნელობის პოვნა ფორმულის დახმარებით. ამ დროს უმჯობესია ე.წ. *რიცხვითი მეთოდების* გამოყენება, რომლებიც იძლევა საშუალებას აუცილებელი სიზუსტით გამოვთვალოთ საძიებელი სიდიდის მიახლოებითი მნიშვნელობა. *ნიუტონის რიცხვითი მეთოდი* თავიდან აგვაცილებს f_x ფუნქციის წარმოებულის მნიშვნელობების გამოთვლას თითოეულ მიახლოებულ x_k-სთვის და განსაკუთრებით გამოსაყენებელია, როცა $f_{(x_k)}$ რთულია და ფუნქციის - f_x და f'_x ნიშნების მუდმივობის შემთხვევაში x_k მიახლოებათა მიმდევრობა კლებადია განტოლების ფესვისაკენ.

არსებობს სხვადასხვა რიცხვითი მეთოდები, რომლის შერჩევაც შესაძლებელია

ეფექტური წლიური საპროცენტო გამოსათვლელად, კერძოდ, უფრო სწრაფი, მაგრამ გასაგებად უფრო რთული მეთოდები, ასევე, უფრო მარტივი მეთოდები, შეზღუდვების ნაკლები რაოდენობით, მაგრამ ისინი საჭიროებენ დიდი რაოდენობით გამოთვლებს. ნიუტონის რიცხვით მეთოდზე ყურადღება შევაჩერეთ და შერჩეულ იქნა გამოყენების სირთულისა და დამთხვევის ოპტიმალური თანაფარდობის გამო.

ანოტაცია
კორპორატიული მართვის მოდელების შესახებ

კორპორატიული მართვა გულისხმობს მენეჯერების, პერსონალისა და მის მფლობელებს შორის ურთიერთობის და ურთიერთმოქმედების სისტემას, რომლის დანიშნულებაა ეფექტიანი საქმიანობის უზრუნველყოფა, მფლობელების და ასევე სხვა დაინტერესებული მხარეების - კრედიტორები, პარტნიორები, პერსონალი, სახელმწიფო რეგულირების ორგანოები და ა.შ. ინტერესების დაცვა. კორპორატიული ურთიერთობების ასეთი მიდგომა იგულისხმება ყველგან, სადაც ადგილი აქვს საკუთრებისა და მართვის დაყოფას.

კორპორატიული მართვის ყველა სუბიექტის დაინტერესება და აქტიური მონაწილეობა გადამწყვეტ როლს თამაშობს კორპორატიული მართვის ეფექტიანი სისტემის შექმნაში, რაც ოპერაციული საქმიანობის გაუმჯობესების საშუალებას იძლევა, როგორც საბანკო საქმიანობის, ასევე არასაბანკო საქმიანობის განმახორციელებელი მეწარმე სუბიექტებისთვის. კორპორატიული მართვის ეფექტიანი სისტემა, კომპანიისათვის რეპუტაციის რისკის თავიდან აცილებასაც ემსახურება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანს წარმოადგენს კომერციული ბანკებისათვის.

ანოტაცია
საინვესტიციო პროექტების შეფასების შესახებ

ნებისმიერი საინვესტიციო პროექტი დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან და საქმიანობასთან, რომლის წარმატებაც დამოკიდებულია, როგორც მენეჯერთა ძლიერი გუნდის არსებობაზე, ასევე სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებთან, რომლებიც ჩართულნი არიან და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პროექტის განხორციელებაში. მნიშვნელოვანია რამდენად პროფესიონალურადაა ორგანიზებული პროექტის მართვა და მის მონაწილეებს შორის კომუნიკაცია, რადგან პარტნიორებთან და ინვესტორებთან ურთიერთობებსა და მათი მუშაობის კოორდინაციას მნიშვნელოვანი როლი უჭირავს საინვესტიციო პროექტის წარმატებაში.

საინვესტიციო პროექტი დაკავშირებულია რისკებთან, რომელიც ნებისმიერი საწარმოს ფუნქციონირების ობიექტური ფაქტორია, გაითვალისწინება საინვესტიციო საქმიანობის მართვის პროცესში მმართველობითი გადაწყვეტილების მომზადების დროს.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

	Khatuna Barbakadze; **Nato Kakashvili**	**About effective company budgeting**	Moldova State University, p. 213-217, Republic of Moldova, October 30-31.

ანოტაცია

კომპანიის ეფექტიანი ბიუჯეტირების შესახებ

თემის აქტუალურობა. ბიუჯეტირების ძირითადი მიზანია კომპანიის ფინანსური რესურსების სწორი მართვა. ბიუჯეტირების პროცესი მჭიდროდ არის დაკავშირებული კომპანიის სტრატეგიულ და ტაქტიკურ მიზნებთან, რადგან ნებისმიერი კომპანია, სწორად დაგეგმილი ფინანსური მართვის საფუძველზე აღწევს მნიშვნელოვან მასშტაბებს და სწორედ ესაა, საბიუჯეტო მართვა. ბიუჯეტი იძლევა საშუალებას განვახორციელოთ სამი ძირითადი მმართველობითი ამოცანა:

- მოვახდინოთ ფინანსური მდგომარეობის, ფინანსურ რესურსებში მოთხოვნების და ფინანსური შედეგების პროგნოზირება;
- შევადაროთ დაგეგმილი და ფაქტიურად მიღებული შედეგები;
- შევაფასოთ და გავაანალიზოთ გამოვლენილი დარღვევები, რათა დროული რეაგირება მოვახდინოთ მათზე.

კვლევის ობიექტი. კომპანიის ეფექტიანი ბიუჯეტირება

კვლევის მიზანს წარმოადგენს კომპანიის ეფექტიან ბიუჯეტირებაში არსებული პრობლემების შესწავლა და მათი სრულყოფის გზები.

კვლევის მეთოდები. ნაშრომის შესრულებისას საკვლევი პრობლემის სირთულისა და პრაქტიკული მნიშვნელობიდან გამომდინარე, გამოყენებულ იქნა კვლევის სისტემური, ისტორიული და ლოგიკური განზოგადების მეთოდები. ასევე გამოყენებულია მეცნიერული აბსტრაქციის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები

დასკვნა. კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები და შედეგები ხელს შეუწყობს კომპანიის ეფექტიან ბიუჯეტირებაში არსებული პრობლემების აღმოფხვრას და ეფექტიანობის ამაღლებას.

საკვანძო სიტყვები: ბიუჯეტირება; კომპანიის ბიუჯეტირების სახეები.

ასოცირებული პროფესორი ავთანდილ ჩუთლაშვილი

II. 1. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**ა. ჩუთლაშვილი**	“Основные тенденции развития финансового сектора и	“INNOVATION, PERFORMANCE AND COMPETITIVENESS IN THE FINANCIAL SECTOR” მიხედვით	მოლდოვას სახელმწიფო უნივერსიტეტში (ქალაქი	6

		стимулирование экономического роста“,	მომზადებულ შრომების კრებულში (ISBN 978-9975-71-712-0)	კიშენიოვი).	

ანოტაცია

საფინანსო სექტორის განვითარების აქტუალური საკითხები. ფინანსური ბაზრის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები და მათი დაძლევის გზები.

ასოცირებული პროფესორი მიხეილ ჩიკვილაძე

*** სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა**

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**მიხეილ ჩიკვილაძე**	საქართველოს ეკონომიკური განვითარების ტენდენციები	**1.**პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში. შრომების კრებული N 1. ნოემბერი,2015
2	**მიხეილ ჩიკვილაძე**	საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი, პროგნოზი, რეალობა	**2.**ეროვნული ეკონომიკის მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები. კადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილისაერთაშორისო-სო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. თბილისი, 10-11 ივლისი, 2015

ანოტაცია

საქართველოს ეკონომიკური განვითარების ტენდენციები

საქართველოს მთავარი ამოცანაა ეკონომიკის ფეხზე დაყენება, ამისათვის კი აუცილებელია მწარმოებლური ეკონომიკის ამუშავება, რომელიც ძირითადად ადგილობრივ რესურსებზე იქნება დაფუძნებული. აგვისტო, მსოფლიო ეკონომიკაში მკვდარი სეზონია, თუმცა განსხვავებას იმაში, რაც იყო ადრე და რასაც ველოდებით შემოდგომაზე, ჩვენ პრაქტიკულად ვერაფერს ვხედავთ, ეკონომიკა ვითარდება

ძველებურად, როგორც წინა თვეებში, ყოველგვარი დიდი ნახტომების გარეშე, სავალალოა, რომ იგივე გრძელდება ეხლაც. იმისათვის, რომ ჩვენი ეკონომიკა განვავითაროთ, უნდა მივიღოთ უფრო რადიკალური ზომები..

მიუხედავად იმისა, რომ გასულ წლებში ადგილი ჰქონდა ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებს, მისმა სიკეთემ მოსახლეობის ძირითად ნაწილამდე ვერ მიაღწია, ჩვენი მთავარი მიზანია: ეკონომიკური ზრდის მიერ მოტანილი სიკეთით ისარგებლოს საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა, ამავე დროს, ჩვენი მთავარი ამოცანაა მოსახლეობის საყოველთაო ჩართვა ეკონომიკური განვითარების პროცესში. რეგიონის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის მთავარი პრინციპია, კერძო სექტორის თავისუფლების უზრუნველყოფა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სახელმწიფოს მონაწილეობა ეკონომიკურ პოლიტიკაში, იქაა საჭირო, სადაც კერძო სექტორი სუსტი და არა ეფექტურია. ერთადერთი გამოსავალი რჩება ინვესტიციის გაზრდა. ამიტომ, ამ მხრივ მუშაობამ შესაძლოა ეფექტი გამოიღოს.

საქართველოში ყოველწლიურად 1.5 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიცია მაინც რომ შემოდიოდეს, დღევანდელ ეკონომიკაში არსებულ პრობლემებს მნიშვნელოვნად დააბალანსებდა, შესაძლოა საგადასახადო ბალანსი სრულად ვერ გამოსწორებულიყო, მაგრამ ის პრობლემები, რაც ეკონომიკურ ზრდას, დასაქმებას და გაცვლით კურსს ეხება, საგრძნობლად შემცირდებოდა,

ეკონომიკაში დაშვებული შეცდომების დროული ანალიზისა და მათი აღმოფხვრის მიზნით, შევეხოთ წინა წლის ბიუჯეტის მონაცემებს, კერძოდ: საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 8.090.0 მილიონი ლარით განისაზღვრა, რაც 2014 წლის ბიუჯეტის შესაბამის მაჩვენებელს 770.0 მლნ ლარით აღემატება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფისკალური ნაწილი და სახელმწიფო ბიუჯეტი ბევრ კითხვას ბადებს, კერძოდ სწორედ 5%-იან ეკონომიკურ ზრდაზე იყო დაფუძნებული 2015 წლის ბიუჯეტი, რომელიც პარლამენტმა 2014 წლის 11 დეკემბერს დაამტკიცა, შესაბამისად 5%-იან ზრდაზეა დაგეგმილი საგადასახადო შემოსავლებიც. თუ 5%-იან ეკონომიკურ ზრდას 2,5 %-მდე შეამცირებენ, ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა შემცირდეს, როგორც შემოსავლები, ისე ხარჯები, მაგრამ ამ მხრივ მთავრობის პოზიცია ბევრ კითხვას ბადებს, რადგანაც ბევრი საკითხი ეროვნულ ბანკსა და მთავრობის პოზიციებს შორის შესაბამისობაში ჯერაც ვერ მოდის. 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პარამეტრების ანალიზიდან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ ტენდენციები და საგადასახადო შემოსავლების ზრდის დინამიკა, დადებითი მიმართულებით გაგრძელდება, ამასთან, გაძლიერდება ქვეყნის ეკონომიკის სტაბილური განვითარებისაკენ მიმართული ღონისძიებები და პრიორიტეტი, სოციალური პროგრამების დაფინანსებას მიენიჭება, ხოლო 2015 წელს ეკონომიკური ზრდის შედეგად მიღებული დამატებითი საგადასახადო შემოსავლების ნაწილი ზემოაღნიშნული მიმართულებით დაფინანსების ზრდას მოხმარდება და ამავე დროს, განხორციელდება საბიუჯეტო დეფიციტის შემცირება, მთლიანი შიდა პროდუქტის 3%-მდე.

ვფიქრობთ, დაუყოვნებლივ უნდა გატარდეს ღონისძიებები საგადასახადო სისტემისა და ადმინისტრაციული პროცედურების შემდგომი გამარტივების მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის მიერ გადადგმულია კონკრეტული ნაბიჯები მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მხრივაც, ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკა საჭიროებს განუხრელ და გადაუდებელ დახვეწას. ეკონომიკური პრობლემების ფონზე, არ შეიძლება ხაზი არ გაესვას შემოსავლების განაწილებაში არსებულ მაღალ უთანასწორობას.

ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ პრობლემებზე მსჯელობისას, არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ მთავრობის მიერ გატარებულ გონივრულ პოლიტიკაზე ბევრი რამ არის

დამოკიდებული, შევეხები მხოლოდ ერთ მათგანს, კერძოდ, საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის პოტენციალი მსოფილო მასშტაბით ძალზე მნიშვნელოვანია. ზღვაზე გასასვლელის არ მქონე ქვეყნებისათვის საქართველოს განსაკუთრებული როლი ენიჭება, ჩვენს კონტინენტზე 8 ქვეყანა სარგებლობს სატრანზიტო ფუნქციით, რაც მნიშვნელოვან როლს სძენს საქართველოს. უნდა აღინიშნოს, რომ ერთი მხრივ საქართველოს შეუძლია წვლილი შეიტანოს იმ ქვეყნების განვითარებასა და გლობალურ ეკონომიკურ სისტემასთან ინტეგრაციაში, რომლებსაც ზღვაზე გასასვლელი არ აქვთ, ხოლო მეორე მხრივ საქართველოსა და ამ ქვეყნებს შორის თანამშრომლობა ეფუძნება ორმხრივ სარგებელს, ეს კიდევ უფრო დიდი სტიმულია საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში უფრო მეტი ინვესტიციის მოზიდვას, ბუნებრივია ამ თვალსაზრისით ყველა ის უპირატესობა, რაც საქართველოს აქვს, მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული.

ანოტაცია

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი, პროგნოზი, რეალობა

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პარამეტრების ანალიზიდან ჩანს, რომ მიმდინარე წლის ეკონომიკური ტენდენციები და საგადასახადო შემოსავლების დინამიკა კვლავ გაგრძელდება. ამასთან, გაძლიერდება ქვეყნის ეკონომიკის სტაბილური განვითარებისაკენ მიმართული ღონისძიებები, პრიორიტეტი სოციალური პროგრამების დაფინანსებას მიენიჭება. 2015 წელს ეკონომიკური ზრდის შედეგად მიღებული დამატებითი საგადასახადო შემოსავლების ნაწილი ზემოაღნიშნულის მიმართულებით დაფინანსების ზრდას მოხმარდება და, ამავე დროს, განხორციელდება საბიუჯეტო დეფიციტის შემცირება, მთლიანი შიდა პროდუქტის 3%-მდე.2015 წელს სახელმწიფო ვალების მომსახურებისა და დაფარვისათვის გათვალისწინებულია 754 მლნ ლარი, ხოლო იგეგმება 720 მლნ ლარის ოდენობის სახელმწიფო ვალის აღება. სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვრა 9.575.0 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის: საბიუჯეტო სახსრები შეადგენს 8.785.0 მლნ ლარს, გრანტები - 100.0 მლნ ლარს, ხოლო კრედიტები - 690.0 მლნ ლარს.

გადადგმულია კონკრეტული ნაბიჯები მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მხრივაც. კერძოდ, ბოლო ორი წლის მანძილზე:

გაუქმდა „დრაკონული კანონი“, რომლის მიხედვითაც საგადასახადო დავის დაწყებისთანავე სახელმწიფოს ჰქონდა უფლება ქონება მოექცია მის საკუთრებაში და გაეყიდა.

საგადასახადო ხანდაზმულობის ვადა 6 წლიდან შემცირდა 3 წლამდე, რაც წინ გადადგმული ნაბიჯია მსოფლიო საგადასახადო სივრცეში.

სოფლის მეურნეობა გათავისუფლდა დღგ-ს ჩათვლის უფლებისაგან.

სასოფლო-სამურნეო და სამედიცინო საქმიანობაში რეინვესტირებული მოგება აღარ დაიბეგრება.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ წლიური 6000 ლარამდე შემოსავლის მქონე შშმ პირები საშემოსავლო გადასახადისაგან განთავისუფლდენ.

გადაიდგა კანონიერი ნაბიჯი და დაახლოებით მილიარდი ლარის საგადასახადო დავალიანება ჩამოეწერა 20 ათას გადამხდელს.

იმპორტიორებს, ხორბლის იმპორტირებისათვის დღგ-ს გადასახადის გადახდა, რეალიზაციის შემდეგ შეეძლებათ.

ბინის გაქირავებიდან, ასევე ბინის და ავტომობილის რეალიზაციიდან შემოსული შემოსავლის 20%-ის ნაცვლად 5%-იან დაბეგვრის შემოღებას გულისხმობს.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევად კი ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება გვესახება.

ასოცირებული პროფესორი ლეილა ღუდუშაური

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**ლეილა ღუდუშაური**	**აღრიცხვა-ანგარიშგების თავისებურებანი საბანკო სფეროში.** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული.	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული.	თბ., ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2015.	8 გვ.

ანოტაცია

აღრიცხვა-ანგარიშგების თავისებურებანი საბანკო სფეროში

აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემის სამსახურის სტრუქტურის აგების მეთოდები დიდ გავლენას ახდენენ ბანკის შიდა პროცესების სწორად და რაციონალურად წარმართვაზე, მომსახურების ხარისხზე, უსაფრთხოებასა და აღრიცხვის სისტემის ეფექტიანობაზე. აქედან გამომდინარე, მას ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს.

სტატიაში განხილულია საბანკო და საკრედიტო დაწესებულებებში საბუღალტრო საქმიანობის ორგანიზაციის სისტემების აგების თანამედროვე მეთოდები, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები შედარებითი ანალიზის საფუძველზე.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**ლეილა ღუდუშაური**	საოპერაციო რისკის მართვისადმი თანამედროვე მიდგომები	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები.” 2015 წლის 27-28 ივნისი.

ანოტაცია

საოპერაციო რისკის მართვისადმი თანამედროვე მიდგომები

თანამედროვე ეტაპზე საკრედიტო დაწესებულებების საოპერაციო რისკის მართვას უდიდესი ყურადღება უნდა დაეთმოს. ფაქტობრივად საოპერაციო რისკის კარგად მართვა ბანკის მთელი შიდა სისტემის, ე.ი. ბანკის კარგად მართვას ნიშნავს და პირიქით, სადაც არ შესწევთ უნარი მართონ საოპერაციო რისკი, მნიშვნელოვნად იზრდება ბანკის გაკოტრების ალბათობა.

ნაშრომში განხილულია საოპერაციო რისკის მართვის თანამედროვე მეთოდები, სახელდობრ, ბაზელის კომიტეტის მიერ რეკომენდებული სამი მიდგომა:

- საბაზისო ინდიკატორული მიდგომა (Basic Indicator Approach);
- სტანდარტიზებული მიდგომა (Standardised Approach);
- რისკის განსაზღვრის განვითარებული მიდგომა (Advanced Measurment Approaches - AMA).

საოპერაციო რისკის მართვის თანამედროვე მიდგომების განხილვის საფუძველზე ნაშრომში გაკეთებულია დასკვნა, რომ საოპერაციო რისკის მთლიანი ნეიტრალიზაცია შეუძლებელია, თუმცა ოპტიმალურ შემთხვევაში, გატარებულმა ღონისძიებებმა და რისკების მართვის სისტემამ უნდა უზრუნველყოს მისი მინიმუმამდე დაყვანა.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ-ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ემზარ ჯგერენაია	როგორი 2015 გვექნება?/ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“	№2, 2015	თბილისი	3 გვ.
2	ემზარ ჯგერენაია	ეკონომიკის პროვოცირების თურქული სცენარი/ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“	№11, 2015	თბილისი	2 გვ.
3	ემზარ ჯგერენაია		06/07/2015	თბილისი	5 გვ.
4	ემზარ ჯგერენაია	ბერძნული კრიზისი და საქართველო/ ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“	04/08/2015	თბილისი	7 გვ.
5	ემზარ ჯგერენაია	რებუსები საქართველოში ბენზინის ფასებს ირგვლივ და მსოფლიოს ისტორიული ტენდენციები/ ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“	13/08/2015	თბილისი	44 გვ.
6	ემზარ ჯგერენაია		3/09/2015	თბილისი	10 გვ.
7	ემზარ ჯგერენაია	მსოფლიო რეცესიის მოლოდინში და ჩინური ჭადრაკის კომბინაცია/ ჟურნალი	30/10/2015	თბილისი	4 გვ.
8	ემზარ		16/12/2015	თბილისი	

	ჯგერენაია	„საქართველოს ეკონომიკა“ დერევატივები არის მასობრივი განადგურების ფინანსური იარაღი – უორენ ბაფეტი/ ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“ სმიტი და ჩინეთი/ ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“ სავალუტო ფონდი და ჩინეთი რუსეთის წინააღმდეგ/ ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“		თბილისი	8 გვ.

ანოტაცია

ყველაზე დიდი ფაქტორი, რომელზეც დამოკიდებულია მსოფლიო ეკონომიკა – დოლარის გაცვლითი კურსია. დოლარი უპრეცენდენტოდ გამყარდა, რამაც სასაქონლო ბირჟებზე ფასების ვარდნა გამოიწვია, განსაკუთრებით – საწვავზე.

ანოტაცია

ბოლო პერიოდში თურქეთის მიერ გადადგმული ნაბიჯები მისი გეოპოლიტიკური უპირატესობის მატერიალიზაციის კუთხით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომლის შედეგადაც ქვეყანა ხდება გაზსადენების, აზია-ევროპის ტვირთების გადაზიდვების ჰაბი, რაც ჩვენს ინტერესებს ეწინააღმდეგება. მეტიც, ნაბუქოს კონკურენტი სამხრეთის ნაკადი უჩვენოდ გაივლის თურქეთის ტერიტორიაზე, რაც საქართველოს ამ ბაზარზე თავისი პოზიციების გამყარების შანსს უკარგავს.

ანოტაცია

საბერძნეთში განვითარებული მოვლენებიდან ჩვენთვის ორი რამ არის მნიშვნელოვანი: პირველი, ამ კრიზისმა და დაძაბულობამ განაპირობა ის, რომ ბევრი ქართველი, რომელიც დასაქმებული იყო ამ ქვეყანაში, უკვე აღარ არის დასაქმებული, ვინაიდან შემცირდა სამუშაო ადგილები და მეორე, ემიგრანტები ვერ რიცხავენ ვალუტას, იმიტომ რომ ბანკების მოქმედება შეზღუდულია. IMF-ის მიდგომა არის ძალიან მკაცრი და სრულად არ ემთხვევა ევროპელი კრედიტორების პოზიციას. საერთაშორისო სავალუტო ფონდი თვლის, რომ უნდა მოხდეს ვალის რესტრუქტურიზაცია, მანამდე კი საბერძნეთში უნდა ჩატარდეს რეფერენდუმი. სიტუაცია ბოლომდე გაურკვეველია. მაგრამ ჩვენთვის ერთი რამ ნათელია, იქ მცხოვრები ქართველების პრობლემები კიდევ დიდხანს დარჩება პრობლემებად.

ანოტაცია

ნავთობის ფასების უახლოეს ისტორიას თუ გადავხედავთ, ის მუდამ გამოიყენებოდა

პოლიტიკური მიზნით. მას დასავლეთი იყენებდა რუსეთის მიმართ და რუსეთი მისი მეზობლების მიმართ. ისტორიაზე დაკვირვება აჩვენებს, რომ ნავთობზე მაღალი ფასები საბჭოთა კავშირის აგრესიის პირდაპირპროპორციული იყო, ტრადიციულად, როგორც კი შავ ოქროზე ფასები მცირდებოდა, საბჭოთა კავშირი უფრო დემოკრატიული და მეგობრული ხდებოდა დასავლეთის მიმართ და პირიქით, ფასებისა და, შესაბამისად, საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის პარალელურად, კომუნისტური ქვეყნის აგრესიაც იზრდებოდა. ეს კორელაცია არც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დარღვეულა.

რაც შეეხება საქართველოს შიდა ბაზარს, აქ აშკარად არის მონოპოლიების პრობლემა და ბაზრის დახურულობის სინდრომი. აქ მონოპოლიურად მაღალი ფასებია საწვავზე და მას რეალური გამოაშკარავება სჭირდება. ეს ხელოვნურად აწეული ფასები საწვავზე საბოლოო ჯამში მომხმარებლის და სხვა ბიზნესის ინტერესებს ბღალავს და ანგრევს ეკონომიკას.

ანოტაცია

2015 წლის პირველ და მეორე კვარტალში ჩინეთის ეკონომიკა 7%-ით გაიზრდა, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია ბოლო 7 წლის განმავლობაში. ჩინეთის ექსპორტი ივლისში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 8.3%-ით შემცირდა. გაუფასურებულმა ვალუტამ ხელი უნდა შეუწყოს ჩინური ექსპორტის კონკურენტუნარიანობის გაზრდას. ჩინეთის მთავრობა იუანის გაუფასურებას აფასებს, როგორც ბაზრის რეფორმირებისათვის გადადგმულ ნაბიჯს, მაგრამ ექსპერტთა შეფასებით, ეს არის ჩინური ვალუტის დევალვაციის გრძელვადიანი გზის დასაწყისი. ჩინური ვალუტის დევალვაცია, როგორც სავალუტო ფონდი აცხადებს, მისი ტოპ ათეული სავაჭრო პარტნიორის პრობლემაა. ეს ასევე არის საქართველოს პრობლემაც. გაუფასურებული იუანი გაზრდის ჩინურ იმპორტს საქართველოში, გაზრდის დოლარზე მოთხოვნას და დაწევს ლარის კურსს დაბლა, მეორე, ის არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენებს ადგილობრივ მეწარმეებს.

ანოტაცია

მსოფლიო ფინანსური ბაზარი შევიდა ტურბულენტურობის ფაზაში. ჩინეთის მოვლენების გამო, წამყვანი პლატფორმების ინდექსები ერთმანეთის მიყოლებით დაეცა. ბრაზილია 1 სექტემბერს რეცესიის ზონაში შევიდა, სადაც რუსეთი უკვე რამდენიმე კვირაა იმყოფება. ბრიკის ქვეყნებიდან, ჯერჯერობით ინდოეთი ინარჩუნებს სახეს. ალან გრინსპენის „ფორქასტი“ გამართლდა და ექსპერტთა აზრით, შესაძლებელია ეს დარტყმის ტალღა უახლოეს ხანებში უფრო მძლავრი ძალით კიდევ განმეორდეს.

სასაქონლო ბაზრებზე სერიოზული პრობლემები შექმნა ფასების არნახულმა ცვლილებამ, რომელიც ექსპერტთა აზრით მომავალი 4-5 წელი გაგრძელდება. საგარეო ფაქტორების არახელსაყრელობას საქართველოში ემატება – ინფლაცია, ელექტროენერგიაზე ფასების ზრდა, ექსპორტის შემცირება და ბიზნესმენთა და ინვესტორთა განწყობილების შემცირება. რაც მნიშვნელოვანია ლარის კურსისთვის.

ანოტაცია

საქართველოში დაიწყო საარჩევნო ეტაპი. მორიგი ეტაპი და ჩვენ ყველანი ვიძახით, რომ გვინდა ევროპა! ჩვენი არჩევანია ევროპა, მაგრამ როგორი – მემარცხენე თუ მემარჯვენე? როგორი საქართველო გვინდა ჩვენ მემარცხენე თუ მემარჯვენე, როგორი ეკონომიკა გვინდა და როგორ იდეებს მივიტანთ ხალხთან – იმას, რომელიც გვწამს თუ იმას, რომელიც მოდურია, მეტი ხმების მომტანია და რომლის მოსმენა უნდა ხალხს – მემარცხენე ზღაპრებს? იქნება ამ იდეებში საშუალო კლასი, თავისუფალი ბაზარი და საკუთრების უზენაესობა თუ „უფასოების“ ჩანჩქერი?

ანოტაცია

რუსეთის წინააღმდეგ სავალუტო ფონდის ნაბიჯები სახეზეა. სავალუტო ფონდმა ფაქტობრივად წაახალისა უკრაინის მთავრობა უარი განეცხადებინა კერძო კომპანიების მიმართ დავალიანების დაფარვაზე და, ამ მხრივ, დეფოლტი გამოეცხადებინა. უკრაინამ რუსეთის მიმართ 3 მილიარდიანი ვალი კერძო ვალად გამოაცხადა და უარი თქვა მის გადახდაზე. აქ სავალუტო ფონდმა უკრაინას დაუჭირა მხარი.

მეორე, სავალუტო ფონდისა და ჩინეთის ჭიდილი დიდი ხანია მიმდინარეობს. ჩინეთი მოითხოვს ბრეტონ ვუდსის ორგანიზაციების მმართველობაში ფეხის შედგმას და პოზიციების გამყარებას. მიუხედავად იმისა, რომ ის მსოფლიოს მეორე ეკონომიკაა, ვერაფერს მიაღწია ამ კუთხით. ამის შემდგომ ჩინეთმა დაიწყო ახალი მსოფლიო ბანკის ჩამოყალიბება და გარკვეულ წარმატებას მიაღწია. სავალუტო ფონდი დათმობაზე წავიდა და ჩინური იუანი სავალუტო ფონდის კალათის ვალუტად აღიარა. რასაც დიდი ხანია რუსეთი ითხოვს და ანგარიში არ გაუწიეს. უფრო მეტიც – რუსეთი სანქციების გამო საერთოდ მოაცილეს საერთაშორისო ინსტიტუტების მართვას.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპას ძალიან გაუჭირდა რუსეთის ბაზრის გარეშე, მინიმუმ 2016 წელს, ევროპა რუსეთს სანქციებს არ მოუხსნის და მის დახმარებას არც საერთაშორისო ორგანოები აპირებენ. ჩინეთიდან საქართველოს გავლით მატარებლის ახალმა ტრასამ, რომლის სულისჩამდგმელია ჩინეთი, კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ჩინეთს თავისი ინტერესები აქვს და ის არ გადის რუსეთზე. ამრიგად, 2015 წელს რუსეთში ვარდნა გაგრძელდება და, ბუნებრივია, ამ კუთხითა და ზომით ის საქართველოს საგადამხდელო ბალანსზეც აისახება.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**ემზარ ჯგერენაია**	სავალუტო ბაზარი და პირდაპირი ინვესტიციები. შეცდომა, რომელსაც ეკონომისტ-მეცნიერები და ანალიტიკოსები უშვებენ	საქართველოს ეკონომიკის მიღწევები და გამოწვევები, თბ., 30 აპრილი, 2015

ანოტაცია

2008 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ მსოფლიოში ისმის ბევრი კითხვა, ვინ არიან ეკონომისტები? რამდენად სასარგებლოა მათი პროგნოზები? რას ემყარება ეს პროგნოზები – არსებულ თეორიულ წანამძღვრებს თუ რეალობის ახლებურ აღქმას? საქართველოშიც ბოლო პერიოდში ხშირად ისმის კითხვები ეკონომისტების მიმართ, რა მოუვა ლარს, რა ფაქტორები ახდენს გავლენას ლარის კურსზე, როგორი შეიძლება იყოს ეკონომიკური ზრდა და ა.შ. მაგრამ ქართველი ეკონომისტების მიერ ამ კითხვებზე გაცემული პასუხები ეყრდნობა თეორიებს, რომლებიც შემუშავებულია ისეთი ქვეყნების გამოცდილების მაგალითზე, როგორიცაა აშშ და სხვა მაღალგანვითარებული ქვეყნები. მაგრამ ფაქტია, რომ მათ განსხვავებული ეკონომიკა აქვთ საქართველოსთან შედარებით.

მეცნიერ-ეკონომისტებმა უნდა გამოიკვლიონ ქვეყნების თავისებურებები ამ ქვეყნებში, ფულის აგრეგატების მიმართება მშპ-სთან, საგადასახადო ტვირთი, ინფლაცია, თარგეთირება,

მონეტარული თარგეთირება. ის თეორიები, რაც გრძელვადიან ან მოკლევადიან პერიოდში ხსნის ვალუტის კურსის ცვლილებას, საქართველოში გავრცელებულია წამყვანი ქვეყნების მაგალითზე და შედეგად, ჩვენ ზუსტი პასუხი არ გვაქვს, რა ხდება ლარის ირგვლივ. საგარეო ფაქტორების ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე არის სერიოზული და არ შეიძლება ის არ განვიხილოთ, მაგრამ, ამასთანავე, ქვეყნის შიგნით ორ რამეს სჭირდება სერიოზული მხარდაჭერა – ეს არის მთლიანი მოთხოვნის ზრდის პროვოცირება თუნდაც კეინსიანური მეთოდებით და მეორე, თუ რა კანონებს ექვემდებარება საქართველოში ლარის კურსი და რა ნაბიჯები უნდა გადავდგათ მის გასამყარებლად.

ასისტენტ პროფესორი ირაკლი ასლანიშვილი

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	დავით ასლანიშვილი	საქართველოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები	2015 წელი, გამომცემლობა "ივერიონი"	228 გვერდი

ანოტაცია

ნაშრომის მიზანია, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის საერთაშორისო კვლევის, მისი წარმოშობისა და განვითარების ისტორიის ერთად თავმოყრა და ანალიზი, განვლილი პერიოდის გამოცდილების განზოგადება და რეკომენდაციების შემუშავება. პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების უკეთ გაგებისა და ანალიზის მიზნით გაანალიზებულ იქნა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პირველადი განთავსება და მეორადი ბაზარი და არსებული სიტუაცია. ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარი და ასახულია თუ რა მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულება შეუძლია ამ ინსტრუმენტს საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	დ.ასლანიშვილი/ ხ.ბარბაქაძე	სალექციო კურსი „ფასიანი ქაღალდების ბაზარი“	თსუ, 2015 წწ	210

ანოტაცია

სალექციო კურსში განხილულია ფასიანი ქაღალდების სახეები და კლასიფიკაცია, ფასიანი ქაღალდების ბაზრის არსი და ძირითადი ფუნქციები, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირების, განვითარების თავისებურებების, მართვისა და ზედამხედველობის

სისტემის აქტუალური საკითხები. შესწავლილია ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურა, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის, ცენტრალური დეპოზიტარისა და საბროკერო კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა. განსაზღვრულია ფასიანი ქაღალდების შესახებ ინფორმაციის განთავსების წესები და მეთოდები. ჩამოყალიბებულია ფასიანი ქაღალდების პორტფელის აგების ძირითადი მიდგომები. გაანალიზებულია ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	დავით ასლანიშვილი	“საქართველოს ევროობლიგაციების გამოშვების გაურკვეველი მიზეზები” ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები კონფერენციის კრებული	თსუ, პ.გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო - პრაქტიკული კონფერენცია 2015 წლის 10-11 ივლისი,	თსუ, პ.გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი	4 გვერდი
ანოტაციები ქართულ ენაზე ნაშრომში მიმოხილულია ევროობლიგაციების ბაზარი და საქართველოს ევროობლიგაციების სადებიუტო გამოშვება. ასევე ყურადღება გამახვილებულია ევროობლიგაციების შემძენთა დივერსიფიკაციასა, საპროცენტო განაკვეთზე და სარეიტინგო ქულებზე. განხილულია მათი გამოშვების მიზეზები, შედეგი და სავარაუდო განვითარების პერსპექტივა.					

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2	დავით ასლანიშვილი	„გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფოს ფასიანი ქაღალდების ბაზარი: გამოცდილება საქართველოსთვის	თსუ ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული	თსუ, პ.გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი	6 გვერდი

		ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული (გვ., 385-390)			
ანოტაციები ქართულ ენაზე ნაშრომში მიმოხილულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარი, მისი წარმოშობა, განვითარება და თანამედროვე მდგომარეობა. დეტალურადაა განხილული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების თითოეული კლასი, ვადიანობა და დანიშნულება. განსაკუთრებული ყურადღება დათმობილია პირველად და მეორად ბაზარზე, მის სპეციფიკაზე. ნაშრომში გამოკვლეულია თუ რა სხვაობაა გერმანიასა და აშშ-ს სამთავრობო პოლიტიკაში სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების კუთხით. დასკვნის სახით წარმოდგენილია შედარებითი ანალიზი თუ რა დანიშნულებით გამოიყენება ეს ინსტრუმენტი გერმანიაში და რა დატვირთვა აქვს ამ ინსტრუმენტის სწორ გამოყენებას ქართული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისიის დროს.					
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
3	დავით ასლანიშვილი	„საფონდო ბაზარი საქართველოში: არსებული რეალობა და გაურკვეველი მომავალი“ ჟურნალი „თსუ მეცნიერება“, 6 გამოცემა,	„თსუ მეცნიერება“, 6 გამოცემა,	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	3 გვერდი
ანოტაციები ქართულ ენაზე ნაშრომში მიმოხილულია საქართველოში საფონდო ბაზარი, მისი ორგანიზებული სტრუქტურის განვითარება 2000 წლიდან დღემდე. ასახულია საფონდო ბაზრის წინაშე არსებული პრობლემები, საბაზრო ფასის და ფასწარმოქმნის პრობლემა და ამის მიზეზი, ინვესტიციების მცირე მოცულობა და ამის მიზეზ - შედეგობრივი კავშირი. ცალკე აღწერილია საბანკო სისტემა და კანონმდებლობა, რომელიც ხელს უშლის საფონდო ბაზრის განვითარებას. ცალკე განხილულია ე.წ. „ფიქსინგი“ (გარესაბირჟო ბაზარზე დაფიქსირებული გარიგებები)					

ასისტენტ პროფესორი ნატო კაკაშვილი

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნატო კაკაშვილი	**სადაზღვევო კომპანიების**	N 2 მარტი-მაისი,2015	**E-mail:** info@iverioni.com.ge;	4

2	ნატო კაკაშვილი	**საინვესტიციო საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები** ჟურნ. ბიზნესი და კანონმდებლობა **სადაზღვევო კომპანიის ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები** ჟურნ. ბიზნესი და კანონმდებლობა	N 1 იანვარი-მარტი, 2015	**B_K.GE** **E-mail: info@iverioni.com.ge ; B_K.GE**	5

ანოტაციები ქართულ ენაზე

სადაზღვევო კომპანიების საინვესტიციო საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები

სადაზღვევო რეზერვები დამზღვევისათვის წარმოადგენს ინვესტიციის მნიშვნელოვან წყაროს. დამზღვევთა დროებით თავისუფალ საშუალებათა აუცილებელი ინვესტირება გამომდინარეობს დაზღვევის ბუნებიდან. დამზღვევები გარდაქმნიან პასიურ ფულად ნაკადს აქტიურ კაპიტალად და ბანკებთან ერთად ხდებიან მსხვილი საინვესტიციო კაპიტალის წყარო. ფინანსური წყაროების კონცენტრირება და გამოყენება სადაზღვევო კომპანიებს გარდაქმნის მსხვილ ინვესტორებად. მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში დაზღვევა წარმოადგენს ეკონომიკის სტრატეგიულ სექტორს. სადაზღვევო კომპანიის ინვესტიციური პოტენციალი განისაზღვრება მათი საკუთარი კაპიტალის მოცულობით და სადაზღვევო რეზერვების დაგროვებით.

ინვესტიციური საქმიანობის სფეროში სახელმწიფო რეგულირება უნდა ეყრდნობოდეს შემდეგ პრინციპებს:მზღვეველთა ეკონომიკური სტიმულირება; მზღვეველთა ეკონომიკური დამოუკიდებლობა ინვესტიციური გადაწყვეტილებების მიღებაში; ცვლილებებზე მზღვეველების მხრიდან ოპერატიული რეგულირება.

სადაზღვევო კომპანიის ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები

მზღვეველის მიერ ფულადი ვალდებულებების შესრულებისათვის, აუცილებელია სადაზღვევო კომპანიას ჰქონდეს ე.წ. „გადახდისუნარიანობის მარჟა“, ე.ი. აქტივების სიჭარბე ვალდებულებებთან შედარებით. გადახდისუნარიანობის ფინანსურ გარანტიებად აღიარებულია სადაზღვევო კომპანიის საკუთარი კაპიტალი.

სადაზღვევო ბაზრისათვის აქტუალური საკითხია სადაზღვევო კომპანიების ფინანსური მდგრადობა და გადახდისუნარიანობა, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია სადაზღვევო ბაზრის განვითარების, რადგან სანდო და სტაბილურად მომუშავე კომპანიებს შეუძლია პოტენციური კლიენტების მოზიდვა, განსაკუთრებით დაზღვევის ისეთ მნიშვნელოვან სფეროში, როგორიცაა სიცოცხლის დაზღვევა. სადაზღვევო კომპანიის ფინანსური მდგრადობა მიიღწევა ანაზღაურებული საწესდებო კაპიტალით, რომელიც სადაზღვევო რეზერვებით მიღებული ვალდებულებების ადექვატურია. მზღვეველის ფინანსური მდგრადობის, მისი საიმედობის მაჩვენებელია გადახდისუნარიანობა. სადაზღვევო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა არის

მისი ფინანსური კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელი, ფინანსური რესურსების და კაპიტალის გამოყენების, ვალდებულებების შესრულების სრულყოფისა და სხვა სამეურნეო საქმიანობის წინაშე.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ხათუნა ბარბაქაძე **ნატო კაკაშვილი**	**სადაზღვევო კომპანიების საინვესტიციო პოლიტიკა**	**1.** ნოემბერი, 2015 პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში შრომების კრებული, თსუ
	ნატო კაკაშვილი	**სადაზღვევო კომპანიების მომგებიანობის შესახებ**	
	ნატო კაკაშვილი		**2.10–11 ივლისი, 2015** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული ”ეროვნული ეკონომიკის მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები”
2		**სადაზღვევო კომპანიების მართვის სტრატეგია**	
	ნატო კაკაშვილი		
3		**სოციალური დაზღვევის სისტემის მეთოდოლოგიის შესახებ**	
4			**3.**24–26 ივნისი, 2015 I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე:” თანამედროვე მენეჯმენტი:პრობლემები,ჰიპოთეზები, კვლევები” **ბათუმი**
			4.2015.5–6 ივნისი უნივერსიტეტთაშორისი

			სამეცნიერო კონფერენცია “ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები” ახალციხე

ანოტაციები

სადაზღვევო კომპანიების საინვესტიციო პოლიტიკა

სადაზღვევო კომპანიები დამოუკიდებლად ამუშავებენ ინვესტიციურ პოლიტიკას, მათ მიერ სადაზღვევო პორტფელის ჩამოყალიბების საფუძველზე. სახელმწიფო რეგულირება პირველ ყოვლისა ეხება საინვესტიციო საქმიანობის პრინციპების შესრულებას, ეკონომიკურ ნორმატივებსა და მოთხოვნებს. სადაზღვევო კომპანიების აქტივების განაწილება ხორციელდება მეცნიერული და პრაქტიკულად დაფუძნებული ლიკვიდურობის, უკანდაბრუნებადობის, შემოსავლიანობისა და აქტივების დივერსიფიკაციის პრინციპების გათვალისწინებით.სადაზღვევო კომპანიისათვის აუცილებელია საინვესტიციო საქმიანობის განხორციელება, რომ შეინარჩუნოს ფინანსური მდგრადობა და იყოს კონკურენტუნარიანი. სადაზღვევო კომპანიამ უნდა შეიმუშაოს საინვესტიციო პოლიტიკა, განახორციელოს საინვესტიციო საქმიანობის ორგანიზება, შეადგინოს საქმიანობის აღრიცხვა.

სადაზღვევო კომპანიები, რომელთაც გააჩნიათ განსხვავებული სადაზღვევო პორტფელი, აყალიბებენ განსხვავებულ საინვესტიციო პორტფელს. ამასთან, იყენებენ რისკის შეფასების მეთოდებს. შესაბამისად, სადაზღვევო კომპანიის საინვესტიციო პოლიტიკა განისაზღვრება იმ სადაზღვევო ოპერაციებით, რომლებსაც ის ატარებს.

ანოტაცია

სადაზღვევო კომპანიების მომგებიანობის შესახებ

მზღვეველის ფინანსური მდგრადობა – სადაზღვევო რეგულირების საფუძველი და სადაზღვევო ზედამხედველობის ერთ-ერთი ძირითადი საზრუნავია. სადაზღვევო კომპანიის ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესებისათვის აუცილებლად მიგვაჩნია: სატარიფო განაკვეთების კორექტირება დაზღვევის სახეების მიხედვით; გადაზღვევის გაფართოება; დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვა აქციების გამოშვების გზით;საჭიროების შემთხვევაში აქტივების სტრუქტურაში ცვლილებების შეტანა; კრედიტორული და დებიტორული დავალიანებების შემცირება; სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი შესაძლებლობების გამოყენება, როგორიცაა ინტერნეტის მეშვეობით და ა.შ.

აუცილებელად მიგვაჩნია სადაზღვევო კომპანიის გადახდისუნარიანობასა და კაპიტალს შორის ურთიერთკავშირის კვლევა და კაპიტალის ფორმირების შემადგენლობისა და სტრუქტურის თავისებურებების განსაზღვრა სადაზღვევო საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სრულყოფილი სადაზღვევო ბაზრის შექმნისათვის საჭიროა არა მარტო სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა სადაზღვევო საქმის სფეროში, არამედ ეფექტური ნორმატიული ბაზის შექმნა და სადაზღვევო კულტურის განვითარება საქართველოში.

სადაზღვევო კომპანიების ფინანსური მდგრადობა დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ სიტუაციაზე და სახელმწიფო რეგულირებაზე.

ანოტაცია

სადაზღვევო კომპანიების მართვის სტრატეგია

სადაზღვევო სისტემის მენეჯმენტი მნიშვნელოვანია წარმოებისა და ეკონომიკის განვითარებისათვის.სადაზღვევო კომპანიებმა გააუმჯობესეს მენეჯმენტი, რაც სადაზღვევო ბაზრის ათვისების როგორც ხარისხობრივ, ისე რაოდენობრივი მახასიათებლების ზრდაში გამოიხატება.ამასთან, თანდათან იზრდება, როგორც ორგანიზაციების, ისე მოსახლეობის სადაზღვევო კულტურის დონე რაც აუცილებელი წინაპირობაა ქვეყნის სადაზღვევო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის. ასევე მნიშვნელოვანი საკითხია, ქართული

სადაზღვევო სისტემის მჭიდრო ინტეგრაცია ევროპულ-ამერიკულ სისტემებთან .

საქართველოს სადაზღვევო კომპანიებისთვის აქტუალურია ფინანსური მდგრადობა და გადახდისუნარიანობა, რადგანაც სანდო და სტაბილურად მომუშავე კომპანიებს შეუძლიათ პოტენციური კლიენტების მოზიდვა, განსაკუთრებით სიცოცხლის დაზღვევაში.გადახდისუნარიანობის პრინციპის თანახმად, სადაზღვევო მენეჯმენტის ძირითადი ამოცანაა, გადახდისუუნარობის რისკი იყოს კონტროლირებადი. სადაზღვევო კომპანიის განვითარების სტრატეგიისა და ტაქტიკის შესაბამისი მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავებაში უდიდესი მნიშვნელობა კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანალიზს ენიჭება, რომელიც კომპანიის აქტივების და მათი დაფარვის წყაროების, ლიკვიდურობის, გადახდისუნარიანობის, საქმიანი აქტივობის და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლას გულისხმობს.

ანოტაცია

სოციალური დაზღვევის სისტემის მეთოდოლოგიის შესახებ

სოციალური დაზღვევის სისტემის მეთოდოლოგია უნდა ითვალისწინებდეს დახმარებაზე საზოგადოების მოთხოვნილებებისა და მისი დაფინანსების შესაძლებლობებს, რათა სოციალური დახმარების ხარჯებმა არ გადააჭარბოს ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს. საბაზრო ეკონომიკის პრინციპების შესაბამისად, აუცილებელია მოსახლეობის მუდმივი სოციალური მხარდაჭერა, ორ კრიტერიუმზე დაყრდნობით, ესენია: ცხოვრების ღირებულება და შრომითი შემოსავლების დინამიკა.

- სოციალური დაზღვევის სისტემის მეთოდოლოგიის სრულყოფის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა იმ გზებისა და პერსპექტივების ძიება, რომლებიც ხელს შეუწყობს ფისკალური პოლიტიკის სტაბილურობას. სოციალური უზრუნველყოფის თანამედროვე მეთოდოლოგიური საფუძვლების ჩამოყალიბების ამოცანაა სახელმწიფოს შესაძლებლობების მის ეკონომიკურ პოტენციასთან შესაბამისობაში მოყვანა.უნდა შემუშავდეს ისეთი წესები და ნორმები, რომელთა ცხოვრებაში დამკვიდრებით შესაძლებელი გახდება, მოსახლეობის სოციალური მომსახურების ეფექტიანობის ამაღლება და საზოგადებრივი სტაბილურობის მიღწევა.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2	Khatuna Barbakadze **Nato Kakashvili**	About effective company budgeting	Moldova State University, p. 213-217, Republic of Moldova, October 30-31.

ანოტაციები

კომპანიის ეფექტიანი ბიუჯეტირების შესახებ

თემის აქტუალურობა. ბიუჯეტირების ძირითადი მიზანია კომპანიის ფინანსური რესურსების სწორი მართვა. ბიუჯეტირების პროცესი მჭიდროდ არის დაკავშირებული კომპანიის სტრატეგიულ და ტაქტიკურ მიზნებთან, რადგან ნებისმიერი კომპანია, სწორად დაგეგმილი ფინანსური მართვის საფუძველზე აღწევს მნიშვნელოვან მასშტაბებს და სწორედ ესაა, საბიუჯეტო მართვა. ბიუჯეტი იძლევა საშუალებას განვახორციელოთ სამი

ძირითადი მმართველობითი ამოცანა:

- მოვახდინოთ ფინანსური მდგომარეობის, ფინანსურ რესურსებში მოთხოვნების და ფინანსური შედეგების პროგნოზირება;
- შევადაროთ დაგეგმილი და ფაქტიურად მიღებული შედეგები;
- შევაფასოთ და გავაანალიზოთ გამოვლენილი დარღვევები, რათა დროული რეაგირება მოვახდინოთ მათზე.

კვლევის ობიექტი. კომპანიის ეფექტიანი ბიუჯეტირება

კვლევის მიზანს წარმოადგენს კომპანიის ეფექტიან ბიუჯეტირებაში არსებული პრობლემების შესწავლა და მათი სრულყოფის გზები.

კვლევის მეთოდები. ნაშრომის შესრულებისას საკვლევი პრობლემის სირთულისა და პრაქტიკული მნიშვნელობიდან გამომდინარე, გამოყენებულ იქნა კვლევის სისტემური, ისტორიული და ლოგიკური განზოგადების მეთოდები. ასევე გამოყენებულია მეცნიერული აბსტრაქციის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები

დასკვნა. კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები და შედეგები ხელს შეუწყობს კომპანიის ეფექტიან ბიუჯეტირებაში არსებული პრობლემების აღმოფხვრას და ეფექტიანობის ამაღლებას.

საკვანძო სიტყვები: ბიუჯეტირება; კომპანიის ბიუჯეტირების სახეები.

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება ***ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის კათედრა***

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი ***პროფესორი ელენე ხარაბაძე.***

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

ნადეჟდა კვატაშიძე – ასოცირებული პროფესორი
ნანა სრესელი – ასოცირებული პროფესორი
იზოლდა ჭილაძე – ასოცირებული პროფესორი
თეა მუნჯიშვილი – ასოცირებული პროფესორი
მარინა მაისურაძე – ასოცირებული პროფესორი
ლევან საბაური – ასოცირებული პროფესორი
მერაბ ჯიქია – ასოცირებული პროფესორი
მარიამ ვარდიაშვილი ასისტენტ-პროფესორი
ნინო ლომიძე ასისტენტ-პროფესორი
ნიკოლოზ ქოიავა ასისტენტ-პროფესორი

პროფესორი ელენე ხარაბაძე

I. 1. <u>საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით</u> 2015 წლისათვის
დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	შპს „თბილისის სატრანსპორტო საწარმო“-ს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების რეზერვები	ივანე ჯავახიშვილის სახელობის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აღრიცხვა-აუდიტის კათედრის პროფესორი ელენა ხარაბაძე	1. ასოც. პროფესორი ლევან საბაური 2. ასოც. პროფესორი ნადეჟდა კვატაშიძე 3. ასოც. პროფესორი ნანა სრესელი 4. ასოც. პროფესორი მერაბ ჯიქია

ანოტაცია

პროექტი წარმოადგენს დასრულებულ სამეცნიერო- კვლევით პროექტს, რომლის გამოცემაც მონოგრაფიის სახით იგეგმება 2016 წელს. კვლევის თეორიულ მნიშვნელობას წარმოადგენს მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს მართვის პროცესების ინტეგრაციას, ეკონომიკური ანალიზსა და მმართველობითი გადაწყვეტილებების ფორმირებას; კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მიღებული შედეგები მიმართული იქნება არა მარტო სატრანსპორტო საწარმოს მენეჯმენტის პროცესის გაუმჯობესებისკენ, არამედ საინტერესო

და მიმზიდველი გახდება სხვა ანალოგიური ტიპის საწარმოებისათვისაც. კვლევა ქვეყნის მასშტაბით წარმოადგენს პირველ მცდელობას რომელიც მიმართულია შერეული დაფინანსების ტიპის საწარმოს ფინანსური მდგომარეობის და მდგრადობის შეფასების, კვლევის, ანალიზისა და მისი გაუმჯობესების კომპლექსური ღონესძიებების პაკეტის შემუშავებისაკენ, რაც პროექტის პრაქტიკულ მნიშვნელობას კიდევ უფრო ყურადსაღებს ხდის.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნ.კვატაშიძე ე.ხარაბაძე	საზოგადოებრივი ტრანსპორტის სიციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა	I საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციის მასალების შრომების კრებული თანამედროვე მენეჯმენტი:პრობლემები, ჰიპოტეზები,კვლევები	ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი 2015	6

ანოტაცია

განხილულია საზოგადოებრივი ტრანსპორტის მნიშვნელობა ეკონომიკის განვითარებაში, მობილობის ზრდაში და მოსახლეობის სოციქლურ თანასწორობაში.

ნაჩვენებია მოსახლეობის ავტომობილიზაციის გავლენა მობილობასა და ეკოლოგიაზე. საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება უზრუნველყოფს მოსახლეობას უსაფრთხო, ეკოლოგიურ და კომფორტულ სატრანსპორტო მომსახურებით.

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1	**ელენა ხარაბაძე,** ლევან საბაური	ბიოლოგიური აქტივებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აღრიცხვის მეთოდიკა და მათი შეფასება აქტიური ბაზრის არარსებობის პირობებში (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით)	17th International Academic Conference	June 21-24, 2015 Vienna, Austria	21

ანოტაცია

შემოთავაზებული ინფორმაციული ბაზა და ბიოლოგიური აქტივებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის განსაზღვრის მეთოდები საშუალებას იძლევა, რომ სააღრიცხვო პრაქტიკაში გამოყენებულ იქნეს საიმედო შეფასება და უზრუნველყოფილ იქნეს აღრიცხვის საიმედოობა და გამჭვირვალობა აქტიური ბაზრის არარსებობის პირობებში.

უნდა გვახსოვდეს, რომ ღირებულების განსაზღვრის არჩეული ვარიანტისგან დამოუკიდებლად (რომელიც, როგორც წესი განისაზღვრება აქტიური ბაზრის არსებობით ან არარსებობით) გამოყენებული მეთოდიკა უნდა იქნეს დაფიქსირებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიზნებისთვის განსაზღვრულ სააღრიცხვო პოლიტიკაში.

ამრიგად, ბიოლოგიური აქტივებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალური ღირებულებით შეფასებისას აუცილებელი ხდება გარკვეული შესწორებების შეტანა აქტივის შეფასებებში, თუმცა აღნიშნული მეთოდი საშუალებას იძლევა მეტი სიზუსტით განისაზღვროს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შედეგი, იგი ხელს უწყობს ინფორმაცია გამჭვირვალედ იყოს წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში და ეხმარება კომპანიის მენეჯმენტს ეფექტური მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებაში.

ლევან საბაური – ასოცირებული პროფესორი

II. 1. <u>საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით</u> 2015 წლისათვის
დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	შპს „თბილისის სატრანსპორტო საწარმო“-ს	ივანე ჯავახიშვილის სახელობის ეკონომიკისა და	5. ასოც. პროფესორი ლევან საბაური 6. ასოც. პროფესორი

	ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების რეზერვები	ბიზნესის ფაკულტეტის აღრიცხვა-აუდიტის კათედრის პროფესორი ელენა ხარაბაძე	ნადეჟდა კვატაშიძე 7. ასოც. პროფესორი ნანა სრესელი 8. ასოც. პროფესორი მერაბ ჯიქია

ანოტაცია

პროექტი წარმოადგენს დასრულებულ სამეცნიერო- კვლევით პროექტს, რომლის გამოცემაც მონოგრაფიის სახით იგეგმება 2016 წელს. კვლევის თეორიულ მნიშვნელობას წარმოადგენს მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს მართვის პროცესების ინტეგრაციას, ეკონომიკური ანალიზსა და მმართველობითი გადაწყვეტილებების ფორმირებას; კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მიღებული შედეგები მიმართული იქნება არა მარტო სატრანსპორტო საწარმოს მენეჯმენტის პროცესის გაუმჯობესებისკენ, არამედ საინტერესო და მიმზიდველი გახდება სხვა ანალოგიური ტიპის საწარმოებისათვისაც. კვლევა ქვეყნის მასშტაბით წარმოადგენს პირველ მცდელობას რომელიც მიმართულია შერეული დაფინანსების ტიპის საწარმოს ფინანსური მდგომარეობის და მდგრადობის შეფასების, კვლევის, ანალიზისა და მისი გაუმჯობესების კომპლექსური ღონისძიებების პაკეტის შემუშავებისაკენ, რაც პროექტის პრაქტიკულ მნიშვნელობას კიდევ უფრო ყურადსაღებს ხდის.

II. 2. პუბლიკაციები:

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლევან საბაური, ელენა ხარაბაძე	ბიოლოგიური აქტივებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აღრიცხვის მეთოდიკა და მათი შეფასება აქტიური ბაზრის არარსებობის პირობებში (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით)	17th International Academic Conference	June 21-24, 2015 Vienna, Austria	21
შემოთავაზებული ინფორმაციული ბაზა და ბიოლოგიური აქტივებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის განსაზღვრის მეთოდები საშუალებას იძლევა, რომ სააღრიცხვო					

პრაქტიკაში გამოყენებულ იქნეს საიმედო შეფასება და უზრუნველყოფილ იქნეს აღრიცხვის საიმედოობა და გამჭვირვალობა აქტიური ბაზრის არარსებობის პირობებში.

უნდა გვახსოვდეს, რომ ღირებულების განსაზღვრის არჩეული ვარიანტისგან დამოუკიდებლად (რომელიც, როგორც წესი განისაზღვრება აქტიური ბაზრის არსებობით ან არარსებობით) გამოყენებული მეთოდიკა უნდა იქნეს დაფიქსირებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიზნებისთვის განსაზღვრულ სააღრიცხვო პოლიტიკაში.

ამრიგად, ბიოლოგიური აქტივებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალური ღირებულებით შეფასებისას აუცილებელი ხდება გარკვეული შესწორებების შეტანა აქტივის შეფასებებში, თუმცა აღნიშნული მეთოდი საშუალებას იძლევა მეტი სიზუსტით განისაზღვროს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შედეგი, იგი ხელს უწყობს ინფორმაცია გამჭვირვალედ იყოს წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში და ეხმარება კომპანიის მენეჯმენტს ეფექტური მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებაში.

2	Influence of Accounting Balance Indicators on Investment Evaluation	PAYMENT RELATIONS AND THEIR DEVELOPMENT IN GEORGIA	Proceedings of the International Workshop	Poland, 2015

The article discusses the development stages of payment relationship in Georgia. It focuses how important banking sector and uninterrupted calculations are for the expanded reproduction process in the market economy. The article introduces comparative analysis among Georgia and other countries emphasizing Georgia's success that is eventually reflected on the economic development and policy regulation of financial assets investment.

ასოცირებული პროფესორი ნანა სრესელი

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნ. სრესელი	საზოგადოებრივი ტრანსპორტის ეკონომიკის ზოგიერთი პრობლემური საკითხი.	ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი Batumi Navigation Teaching University თანამედროვე მენეჯმენტი: პრობლემები, ჰიპოთეზები, კვლევები I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციის მასალების კრებული	გამომცემლობა „უნივერსალი“, 2015	

			(24 - 25 ივნისი, 2015) MODERN MANAGEMENT: PROBLEMS, HYPOTHESES, RESEARCHES 1st International scientific-practical conference Proceedings of Materials (June 24 – 25. 2015) ქ. ბათუმი BATUMI		

ანოტაცია

დარგობრივმა და სოციალურ-ეკონომიკურმა თავისებურებებმა საზოგადოებრივი ტრანსპორტი ჩამოაყალიბა, როგორც დარგის ერთერთი რთული და სპეციფიკური ერთეული.მგზავრთა გადაყვანის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის, უსაფრთხოებისა და ხარისხის კონტროლი უნდა განახორციელოს სუბიექტმა, რომელსაც ექნება ცოდნა და შესაბამისი კომპეტენცია დარგის სპეციფიკასა და საერთაშორისო გამოცდილების სფეროში. ვიზიარებთ მოსაზრება, რომ ამ მიმართულებით კონტროლის განხორციელება და პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს საქალაქო საერთო სარგებლობის სამგზავრო ტრანსპორტის სფეროს თვითმარეგულირებელ ორგანიზაციას. მიგვაჩნია, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის ეფექტიანი ფუნქციონირებისა მიზნით უნდა შემუშვდეს სამართლებრივად გამყარებული ღონისძიებები, რომელიც უზრუნველყოფს მისი განვითარების ფინანსურ მხარდაჭერას.

ასოცირებული პროფესორი ნადეჟდა კვატაშიძე

III. 1. <u>საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით</u> 2015 წლისათვის
დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	შპს „თბილისის სატრანსპორტო საწარმო“-ს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების რეზერვები	ივანე ჯავახიშვილის სახელობის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აღრიცხვა-აუდიტის კათედრის პროფესორი ელენა ხარაბაძე	9. ასოც. პროფესორი ლევან საბაური 10. ასოც. პროფესორი ნადეჟდა კვატაშიძე 11. ასოც. პროფესორი ნანა სრესელი 12. ასოც. პროფესორი მერაბ ჯიქია

ანოტაცია

პროექტი წარმოადგენს დასრულებულ სამეცნიერო- კვლევით პროექტს, რომლის გამოცემაც მონოგრაფიის სახით იგეგმება 2016 წელს. კვლევის თეორიულ მნიშვნელობას წარმოადგენს მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს მართვის პროცესების ინტეგრაციას, ეკონომიკური ანალიზსა და მმართველობითი გადაწყვეტილებების

ფორმირებას; კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მიღებული შედეგები მიმართული იქნება არა მარტო სატრანსპორტო საწარმოს მენეჯმენტის პროცესის გაუმჯობესებისკენ, არამედ საინტერესო და მიმზიდველი გახდება სხვა ანალოგიური ტიპის საწარმოებისათვისაც. კვლევა ქვეყნის მასშტაბით წარმოადგენს პირველ მცდელობას რომელიც მიმართულია შერეული დაფინანსების ტიპის საწარმოს ფინანსური მდგომარეობის და მდგრადობის შეფასების, კვლევის, ანალიზისა და მისი გაუმჯობესების კომპლექსური ღონისძიებების პაკეტის შემუშავებისაკენ, რაც პროექტის პრაქტიკულ მნიშვნელობას კიდევ უფრო ყურადსაღებს ხდის.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნ.კვატაშიძე ე.ხარაბაძე	საზოგადოებრივი ტრანსპორტის სიციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა	I საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციის მასალების შრომების კრებული თანამედროვე მენეჯმენტი:პრობლემები, ჰიპოტეზები,კვლევები	ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი 2015	6
ანოტაცია განხილულია საზოგადოებრივი ტრანსპორტის მნიშვნელობა ეკონომიკის განვითარებაში, მობილობის ზრდაში და მოსახლეობის სოციქლურ თანასწორობაში. ნაჩვენებია მოსახლეობის ავტომობილიზაციის გავლენა მობილობასა და ეკოლოგიაზე. საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება უზრუნველყოფს მოსახლეობას უსაფრთხო, ეკოლოგიურ და კომფორტულ სატრანსპორტო მომსახურებით.					

ასოცირებული პროფესორი მარინა მაისურაძე

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1	მ. მაისურაძე	საინვესტიციო ქონების აღიარების და შეფასების საკითხები. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები. ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები	2015 წელი 10-11ივლისი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა თბილისი გ.ქიქოძის 14	2
2	მ. მაისურაძე	კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამების როლი და მნიშვნელობა თანამედროვე ეტაპზე. პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები- თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში	შრომების კრებული 2015	თსუ გამომცემლობა 2015	4

ანოტაციები

1. საწარმომ საინვესტიციო ქონების შესაფასებლად უნდა შეარჩიოს ან რეალური ღირებულების ან თვითღირებულების მოდელი.
საწარმომ, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ აირჩევს თვითღირებულების მოდელს, მთელი თავისი საინვესტიციო ქონება უნდა შეაფასოს –თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხით. თუ საწარმო თავდაპირველი აღიარების შემდეგ აირჩევს რეალური ღირებულების მოდელს, ის რეალური ღირებულებით ასახავს მთელ თავის საინვესტიციო ქონებას.

2. დღეს მაღალი დონის ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება დამოკიდებულია კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამების სწორად შერჩევასა და ცოდნაზე, უნარზე ეფექტიანად გამოიყენოს სპეციალიზებული პროგრამები. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ობიექტური ფინანსური ანგარიშგების მომზადება მხოლოდ მაღალი დონის კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებითაა შესაძლებელი.

ასოცირებული პროფესორი მერაბ ჯიქია

I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის
დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	შპს „თბილისის სატრანსპორტო საწარმო“-ს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების რეზერვები	ივანე ჯავახიშვილის სახელობის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აღრიცხვა-აუდიტის კათედრის პროფესორი ელენა ხარაბაძე	1. ასოც. პროფესორი ლევან საბაური 2. ასოც. პროფესორი ნადეჟდა კვატაშიძე 3. ასოც. პროფესორი ნანა სრესელი 4. ასოც. პროფესორი მერაბ ჯიქია

ანოტაცია

პროექტი წარმოადგენს დასრულებულ სამეცნიერო- კვლევით პროექტს, რომლის გამოცემაც მონოგრაფიის სახით იგეგმება 2016 წელს. კვლევის თეორიულ მნიშვნელობას წარმოადგენს მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს მართვის პროცესების ინტეგრაციას, ეკონომიკური ანალიზსა და მმართველობითი გადაწყვეტილებების ფორმირებას; კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მიღებული შედეგები მიმართული იქნება არა მარტო სატრანსპორტო საწარმოს მენეჯმენტის პროცესის გაუმჯობესებისკენ, არამედ საინტერესო და მიმზიდველი გახდება სხვა ანალოგიური ტიპის საწარმოებისათვისაც. კვლევა ქვეყნის მასშტაბით წარმოადგენს პირველ მცდელობას რომელიც მიმართულია შერეული დაფინანსების ტიპის საწარმოს ფინანსური მდგომარეობის და მდგრადობის შეფასების, კვლევის, ანალიზისა და მისი გაუმჯობესების კომპლექსური ღონისძიებების პაკეტის შემუშავებისაკენ, რაც პროექტის პრაქტიკულ მნიშვნელობას კიდევ უფრო ყურადსაღებს ხდის.

ასისტენტ-პროფესორი მარიამ ვარდიაშვილი

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის	ჟურნალის/	გამოცემის ადგილი,	გვერდების

	ავტორები	დასახელება	კრებულის ნომერი	გამომცემლობა	რაოდენობა
1. 2. 3.	მ. ვარდიაშვილი მ. ვარდიაშვილი მ. ვარდიაშვილი	1. უცხოურ ვალუტაში წარმოებული ოპერაციების აღრიცხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებში 2. ფინანსური იჯარის აღრიცხვის თავისებურებები საჯარო სექტორში 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ფორმირების ასპექტები საბიუჯეტო ორგანიზაციებში	1. ბიზნესი და კანონმდებლობა ელ.ვერსია., WWW.b-k.ge info@iverioni.com.ge 2. ბუღალტრული აღრიცხვა -სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი. gfpaa@gfpaa 3. პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი - საერთაშორისო კონფერენცია -ეროვნული ეკონომიკის მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები. თბ., 2015. ISBN 978-9941	№ 2 აპრილი-ივლისი 2015 წ.	2. გვ. 41-49, 3. გვ. 329 -331
ანოტაცია **1.** სტატიაში განხილულია ინსტრუქციით „ საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ გათვალისწინებული დებულებები, რომელიც არეგულირებს საბიუჯეტო ორგანიზაციებში უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვის წესებს.					
ანოტაცია **2.** სატატიაში განხილულია ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ეკონომიკური არსი, აღრიცხვის რეგულირება საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია დღეისათვის საქართველოში მოქმედ ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებთან. **ანოტაცია** **3.** სტატიაში განხილულია სააღრიცხვო პოლიტიკის ფორმირების ელემენტები საბიუჯეტო ორგანიზაციებში და მასთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც წარმოიქმნება დღეისათვის საქართველოში მოქმედ ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების საფუძველზე.					

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

მ. ვარდიაშვილი	უცხოურ ვალუტაში წარმოებული ოპერაციების აღრიცხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებში	ბიზნესი და კანონმდებლობა ელ.ვერსია., WWW.b-k.ge info@iverioni.com.ge	№ 2 აპრილი-ივლისი 2015 w.
მ. ვარდიაშვილი	ფინანსური იჯარის აღრიცხვის თავისებურებები საჯარო სექტორში	ბუღალტრული აღრიცხვა -სამეცნიერო პრაქტიკული Jurnali. gv. 41-49, gfpaa@gfpaa.ge	№6. ; 2015 წ.

მ. ვარდიაშვილი	სააღრიცხვო პოლიტიკის ფორმირების ასპექტები საბიუჯეტო ორგანიზაციებში	პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი - საერთაშორისო კონფერენცია - ეროვნული ეკონომიკის მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები. გვ. 329 -331, თბ., 2015. ISBN 978-9941-13-435-7	10-11. 07.2015 წ.

ასისტენტ-პროფესორი ნინო ლომიძე

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნინო ლომიძე	**„მოგების მაჩვენებელთა ანალიზი და მისი სრულყოფის საკითხები ბინათმშენებელ დეველოპერულ კომპანიებში“**	სამეცნიერო - რეფერირებადი **ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა“** №9 სექტემბერი	სტუ, ტექინფორმი ISSN 1512-0775	8
2	ნინო ლომიძე	**„საქმიანი აქტივობის მაჩვენებელთა სრულყოფის საკითხები დეველოპერულ ბიზნესში“** სამეცნიერო-რეფერირებადი ანალიტიკური **ჟურნალი „ეკონომისტი“**	№5 2015	პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი თსუ ISSN 1987-6890	6
3	ნინო ლომიძე	**"ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის ადგილობრივი**	საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული **ჟურნალი „ეკონომიკა და**	თსუ ISSN 1987-5789	10

		პრაქტიკა და მისი სრულყოფა ბინათმშენებლობის დეველოპერულ ბიზნესში”	ბიზნესი“№4 2015		

ანოტაციები

მოგების მაჩვენებელთა ანალიზი და მისი სრულყოფის საკითხები ბინათმშენებელ დეველოპერულ კომპანიებში

ნაშრომში განხილულია მოგების მაჩვენებელთა ანალიზი ორი ცნობილი ბინათმშენებელი დეველოპერული კომპანიის: სს “$მ^2$ უძრავი ქონებას” და შპს “აქსისის” სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე დაყრდნობით. ასევე, შემოთავაზებულია მოგების მაჩვენებელთა ანალიზის სრულყოფის კონკრეტული წინადადებები.

საქმიანი აქტივობის მაჩვენებელთა სრულყოფის საკითხები დეველოპერულ ბიზნესში

ნაშრომში განხილულია საქმიანი აქტივობის მაჩვენებლები, რომელთა გამოყენებაც ავტორის შეხედულებით მიზანშეწონილია ბინათმშენებლობის დეველოპერულ ბიზნესში. რეკომენდებულ მაჩვენებელთა გამოყენებით ჩატარებულია ორი წამყვანი დეველოპერული კომპანიის, სს “m^2 უძრავი ქონებას” და შპს “აქსისის” საქმიანი აქტივობის ანალიზი, რის საფუძველზეც გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის ადგილობრივი პრაქტიკა და მისი სრულყოფა ბინათმშენებლობის დეველოპერულ ბიზნესში

სტატიაში განხილულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის ადგილობრივი პრაქტიკა საქართველოს ბინათმშენებელ დეველოპერულ კომპანიებში. ამასთან, აქცენტი გაკეთებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით მომზადებისა და გასაჯაროების მნიშვნელობასა და აქტუალურობაზე

ნაშრომში შემოთავაზებულია ავტორისეული ხედვა იმ მრავალმხრივ სარგებლიანობასთან დაკავშირებით, რაც მოყვება ბინათმშენებლობის დეველოპერულ ბიზნესში ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის ადეკვატური კულტურის დანერგვას.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური ანგარიშგება; ფინანსური ანგარიშგების წარდგენა; ბინათმშენებელი დეველოპერული კომპანია; საცხოვრებელი უძრავი ქონების დეველოპერული ბიზნესი.

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: ***საერთაშორისო ბიზნესის კათედრა***

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ***პროფესორი იაშა მესხია***

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორი თეიმურაზ შენგელია
ასოცირებული პროფესორი ლარისა ყორღანაშვილი
ასოცირებული პროფესორი უშანგი სამადაშვილი
ასოცირებული პროფესორი დავით სიხარულიძე
ასოცირებული პროფესორი შოთა შაბურიშვილი
ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბერიშვილი
ასისტენტ პროფესორი ლეილა ქადაგიშვილი

პროფესორი იაშა მესხია

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მესხია იაშა	სოციალურ-ეკონომიკური რეფორმებისაქართველოში: რეალობა და გამოწვევები. საქართველოს კონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, შრომების კრებული	ტომი 12	გამომცემლობა “უნივერსალი”	35
2	მესხია იაშა	საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები: ანალიზი, გამოწვევები, პროგნოზები, ჟურნალი “ეკონომიკა და ბიზნესი”	№2	თსუ გამომცემლობა	23
1. ანოტაცია. სტატიაში გამოკვლეულია სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების თავისებურებანი პოსტკომუნისტურ საქართველოში. რეტროსპექტულ პერიოდში ჩატარებული რეფორმები დაყოფილია ოთხ ეტაპად. დასაბუთებულია, რომ პირველ ეტაპზე (1991-1995წწ) განხორციელებული რეფორმები უშედეგო აღმოჩნდა, მეორე ეტაპზე (1995-2003წწ) რეფორმებს მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა თან ახლდა მნიშვნელოვანი სუსტი მხარეები. მესამე ეტაპზე (2004-2012წწ) რეფორმები იყო შედარებით წარმატებული, მაგრამ იგი მეტწილად მოჩვენებით ხასიათს ატარებდა და არ იყო ორიენტირებული მომავალზე. რეფორმების მეოთხე ეტაპს საფუძველი ჩაეყარა 2013 წელს, თუმცა მისი პირველი შედეგები არადამაკმაყოფილებელია და საჭიროებს ძირეულ ტრანსფორმაციას.				

2. ანოტაცია. სტატიაში გამოკვლეულია მიმდინარე ეტაპზე საქართველოში გატარებული სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები. სვოტ-ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია მისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ჩატარებულია დღეისათვის არსებული მთავარი ეკონომიკური გამოწვევების დიაგნოსტირება-შეფასება, შედგენილი განვითარების პროგნოზული სცენარები და შემუშავებულია რეკომენდაციები და წინადადებები არსებული და მოსალოდნელი რისკების შერბილებისა და თავიდან აცილების მიმართულებით.

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატია

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	I. Meskhia	Peculiarities of Economical Reform in Post Soviet Georgia: Challenges and Prognosis, journal "The Caucasus",	April-June 2015, Vol., 08,	Baku	10
ანოტაცია. სტატიაში გაანალიზებულია პოსტსაბჭოურ საქართველოში განხორციელებული სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების ძლიერი და სუსტი მხარეები, გამოვლენილია შესაძლებლობები და შემუშავებულია რეკომენდაციები და წინადადებები რეფორმების შემდგომი სრულყოფის მიმართულებით. რეფორმირების პროცესი დაყოფილია ოთხ ეტაპად და დახასიათებულია თითოეული ეტაპის სპეციფიკური თავისებურებანი.					

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მესხია იაშა	ინფორმაციული უსაფრთხოების პრობლემები თანამედროვე საერთაშორისო ბიზნესში, პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში", შრომების კრებული №1, გვ.214-222.	თბილისი, თსუ, 2015
ანოტაცია. მოხსენებაში გაანალიზებულია თანამედროვე საერთაშორისო ბიზნესში ინფორმაციული უსაფრთხოების წინაშე მდგარი ძირითადი მუქარები. დასაბუთებულია,			

რომ ეკონომიკური გლობალიზაციის გაღრმავებამ და ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ მნიშვნელოვნად გაზარდა კონკურენტული დაზვერვა, სამრეწველო შპიონაჟი და სხვა სახის ინტერნეტ-თაღლოთობები საერთაშორისო ბიზნესურთიერთობებში. დასაქმებისა და ინტერნეტ-მაღაზიების სფეროში აფერა დღითიდღე მატულობას. კიბერდანაშაულობების მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი. მოხსენებაში გამოკვლეულია საქართველოს ბიზნესის სფეროში დაფიქსირებული ინტერნეტ დანაშაულობების დინამიკა, დასაბუთებულია, რომ ქვეყანაში უახლოეს მომავალში მოსალოდნელია მობილური გადახდების და კრიპტოვალუტების სწრაფი განვითარება, რაც კიდევ უფრო გაზრდის ამ სფეროში კანონდარღვევებს. ავტორის მიერ შემოთავაზებულია წინადადებები და რეკომენდაციები ამ კუთხით მდგომარეობის გამოსასწორებლად.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	"ბიზნესის ტექნოლოგიური გარემო და მისი გავლენა კონკურენტუნარიანი პროდუქციის ექსპორტზე"	პროფესორი იაშა მესხია	ასოცირებული პროფესორები: ლ. ყორღანაშვილი შ. შაბურიშვილი დ. სიხარულიძე ასისტ. პროფესორი: ლ. ქადაგიშვილი დოქტორანტები: ვ. ჭარაია ო. ანგურიძე სტუდენტი:	თსუ გრანტი
ანოტაცია. გამოკვლეულია ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს არსი, სტრუქტურა და შემადგენელი კომპონენტები. გაანალიზებულია საქართველოში ბიზნესის ტექნოლოგიურ გარემოზე მოქმედი ძირითადი ეგზოგენური და ენდოგენური ფაქტორები და პირობები. შესწავლილია ინოვაციებისა და ინვესტიციების ზეგავლენის ხარისხი ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს ფორმირებასა და განვითარებაზე. გამოკვლეულია საექსპორტო საქონლის წარმოებაზე ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს გავლენის დინამიკა და შემუშავებულია რეკომენდაციები ქვეყნის გლობალური კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და ექსპორტის გაზრდის კუთხით ვითარების გაუმჯობესების მიმართულებით. გაანალიზებულია ბუნებრივი რესურსების და ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობის როლი ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს კონკურენტუნარიანობის ამაღლების საქმეში.			

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თ.შენგელია	მულტიკულტური-ზმი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა და ბიზნესის განვითარების დეტერმინანტი	თბილისი, უნივერსალი, 2015	334 გვ

ანოტაცია

თანამედროვე ბიზნესი წარმოუდგენელია მულტიკულტურული პრობლემების ფართო განხილვის მათი გააზრებისა და შემეცნების გარეშე. ბიზნესი კარგა ხანია გავიდა ეროვნული ჩარჩოებიდან და გააერთიანა განსხვავებული კულტურული მსოფლმხედველობის მქონე ადამიანები, რის შედეგადაც მულტიკულტურული განსხვავებების შესწავლა გახდა წარმატებული საქმიანობის საფუძველი, რომელიც აქტიურად ზემოქმედებს საქმიანი სფეროს ეფექტიანობის ამაღლებაზე. საზოგადოებაში ჩამოყალიბებული კულტურული სტერეოტიპების გაუთვალისწინებლობა ხდება ბიზნესის შემაფერხებელი ფაქტორი, მნიშვნელოვნად ზღუდავს მის შესაძლებლობებს. ადამიანების შემეცნების ფორმირება მიმდინარეობს ცოდნის, რწმენის, მორალის, კანონების, ღირებულებების, ნორმებისა და იმ ჩვევების საფუძველზე, რომლებსაც ისინი იძენენ საზოგადოებრივი თანაცხოვრების, განვითარების პროცესში. ახალი კულტურული ღირებულებების შეძენა შესაძლებელია მხოლოდ განსხვავებული ღირებულებების მქონე საზოგადოების სწორი შემეცნების, მისი ტრადიციების სწორი აღქმის შედეგად. ამ კონტექსტში მეტად მნიშვნელოვანია გლობალური ბიზნესის მულტიკულტურული პრობლემების კვლევა.

წინამდებარე მონოგრაფიული გამოკვლევა ეძღვნება ბიზნესისათვის ამ უმნიშვნელოვანესი საკითხების შესწავლას. მასში გაანალიზებულია ისეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემები როგორიცაა: გლობალიზაცია და ბიზნესის განვითარების პრობლემები საქართველოში; კულტურული სხვადასხვაობის გათვალისწინების მნიშვნელობა ბიზნესში; კულტურის დეტერმინანტების შესწავლის როლი გლობალური ბიზნესის განვითარებისათვის; კულტურებს შორის ეფექტიანი კომუნიკაციის საკითხები; განსხვავებული კულტურული ურთიერთობების სწორი აღქმა; სხვადასხვა კულტურებში მოლაპარაკებების გამართვა; კულტურის ზეგავლენა მოტივაციაზე და სხვა.

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თ. შენგელია	ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები	თბილისი, უნივერსალი 2015	448 გვ
2	T.Shengelia, Y. Kozak	World Economi and International economic Relation	kiev, 2015	223 p.
3	T.Shengelia, Y. Kozak		Tbilisi, Universal 2015	340 p.
4	T.Shengelia, Y. kozak	International Finance International Trade	Kiev 2015	259 p.

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Y. kozak, T,Shengelia, M. Oklander, M. Sporek, A. Grinbicea.	Essentials of International Marketing	Tbilisi, Universal 2015	279 ა.

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	T.Shengelia; Y. Kozak	**Marketing miedzynarodndowy**	ISBN 978-611-01-0615-3 **Kijov- Katovice**, 2015.	331

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1		*Romanian rural tourism in the context of sustainable development. Present and prospects((Institute of Economic Research).*	Varta dorenie,Romania 2015	pp. 22-34
2		*ГАРМОНИЗАЦИЯ ДЕЯТЕЛЬНОСТИ ПОЛИТИЧЕСКИХ И ЭКОНОМИЧЕСКИХ ИНСТИТУТОВ ГРУЗ ИИ С ЕВРОПЕЙСКИМИ* ***Актуальні проблеми та шляхи забезпечення соціально-економічного розвитку країни та регіонів***	**Днепропетровск, 2015**	pp.56-64

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	T.Shengelia	Aticiphobia , as Psycho-emotional Factor, and Determinant Specifying the Business.	International Journal of Arts & Sciences'.	Paris, 2015	pp.15-24
2	T.Shengelia	Terrorism, as Social-Political Phenomenon and Impeding Factor for Global Business .	International Journal of Social Sciences, IV(2), The Journal is published by the University of Economics, Prague (Economic faculty)	Prague,2015	pp.29-38

			pp.29–38.		

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	თ.შენგელია	ქრისტიანული მორალი, როგორც შრომითი კულტურის უმნიშვნელოვანესი დეტერმინანტი	5-6 სექტემბერი ბათუმი, ბსუ, 2015
2	თ.შენგელია	გლობალიზაცია და კორუფციის ანატომია.	საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აცადემია, თბილისი, 20 ნოემბერი

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე

შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	ჯონ დ. დნიელსი; ლ ჰ. რედბოგი; დნიელ პ. სალვანი სერთა შორის ბიზნესი. გარესამყარო და ოპერაციები მეთოთხმეტე გამოცემის თარგმნა და რედაქტირება	პროფ. თ.შენგელია	ასოც.პროფ.უ.სამადაშვილი;ასოც.პროფ. ხ.ბერიშვილი; პროფ. შ.ვეშაპიძე	თსუ

ასოცირებული პროფესორი ლარისა ყორღანაშვილი

II. 1. <u>საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით</u> 2015 წლისათვის
დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

I.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ბიზნესის ტექნოლოგიური გარემო საქართველოში და მისი გავლენა ექსპორტის გლობალურ კონკურენტუნარიანობაზე	მესხია იაშა	ყორღანაშვილი ლარისა შაბურიშვილი შოთა სიხარულიძე დავით ქადაგიშვილი ლეილა ჭარაია ვახტანგ ანგურიძე ოთარ

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ-ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლ.ყორღანაშვილი	მეზობლობის ფაქტორის როლი საერთაშორისო ტურისტული ბიზნესის განვითარებაში International journal “Tourism and hospitality studies”	Volume 4, number 4, 2015	ბაქო, აზერბაიჯანის ტურიზმისადა მენეჯმენტის უნივერსიტეტი	7
2.	ლ.ყორღანაშვილი	საერთაშორისო ტურიზმი როგორც მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში საქართველოს ინტეგრატორი Особливості інтеграції країн в світовий економічний та політико-правовий простір: Матеріали II		მარიუპოლი, უკრაინა	2

3	ლ.ყორღანაშვილი	Міжнародноїнауково-практичної конференції, 04 грудня 2015р საქართველოსა და უკრაინის სავაჭრო ურთიერთობები ტრანსფორმაციის პირობებში Економіка та управління національним господарством: стан, тенденції та перспективи: матеріали II		ოდესა, უკრაინა	3
4	ლ. პტაშენკო, ლ.ყორღანაშვილი	міжнародної науково-практичної конференції (28-29 травня 2015р., м. Одеса). ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემაში ფინანსური ტერორიზმის შესახებ საერთაშორისო სამართლის დაცვა Фінансова безпека в системі забезпечення національних економічних інтересів: проблеми і перспективи: Матеріали IIIМіжнародної науково-практичної конференції,21–22 травня 2015 р.		პოლტავა, უკრაინა მენეჯმენტის სკოლა, ბრატისლავა, სლოვაკეთი	4 13
5	ლ.ყორღანაშვილი	საქართველოს ადამიანური რესურსების განვითარება			

		ცოდნის ეკონომიკის კონტექსტში HR Trends and Challenges: How to Succeed in Turbulent Times“. Conference Proceedings.			

ანოტაციები

1. ნაშრომში გაანალიზებულია საერთაშორისო ტურისტული ბიზნესის განვითარების თანამედროვე ტენდენციები და ნაჩვენებია მეზობლობის ფაქტორის როლი მის განვითარებაში.
2. ნაშრომში გაანალიზებულია საერთაშორისო ტურიზმის განვითარების თანამედროვე ტენდენციები საქართველოში, მისი კონკურენტუნარიანობა, ადგილი და როლი ეროვნულ და მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში.
3. ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოსა და უკრაინის პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის შედეგები, ორი ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობების თანამედროვე ტენდენციები და მათი განვითარების პერსპექტივები ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის ფონზე.
4. ნაშრომში გაშუქებულია ფინანსური ტერორიზმის შესახებ საერთაშორისო სამართლის მოთხოვნები და მათი დაცვის მდგომარეობა საქართველოსა და უკრაინის ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემაში.
5. ნაშრომში გაანალიზებულია ცოდნის ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში და მისი როლი ქვეყნის ადამიანური რესურსების განვითარებაში, ნაჩვენებია უნივერსიტეტების, მრეწველობისა და სახელმწიფოს ურთიერთობის პრობლემები და მათი ოპტიმიზაციის შესაძლებლობები.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ლ.ყორღანაშვილი	საქართველო და რუსეთი: ეკონომიკური თანამშრომლობის პრობლემები და შესაძლებლობები	21 სექტემბერი, 2015 საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. თბილისი
2	ლ.ყორღანაშვილი	საქართველოსა და ირანის სავაჭრო ურთიერთობები	30 მაისი, 2015 კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ქ. თბილისი

ანოტაციები

1. ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოსა და რუსეთის ეკონომიკური განვითარების შედარებითი ანალიზი პოსტსაბჭოთა პერიოდში, ორი ქვეყნის თანამშრომლობის არსებული მდგომარეობა თანამშრომლობის სხვადასხვა სფეროების (ვაჭრობა, ინვესტიციები, ენერგეტიკა, ტურიზმი და ა.შ.) მიხედვით, ნაჩვენებია ორ ქვეყანასშორის

არსებული ძირითადი პრობლემები და მათი მოგვარების შესაძლებლობები.
2. ნაშრომში განხილულია საქართველოსა და ირანის სავაჭრო ურთიერთობები დინამიკა და სტრუქტურა, ვაჭრობის პირობები, ბიზნესგარემო, თანამშრომლობის პერსპექტიული მიმართულებები.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ლ.ყორღანაშვილი	მეზობლობის ფაქტორის როლი საერთაშორისო ტურისტული ბიზნესის განვითარებაში	19 დეკემბერი, 2015 ქ. ბაქო, აზერბაიჯანის ტურიზმისა და მენეჯმენტის უნივერსიტეტი
2	ლ.ყორღანაშვილი	საერთაშორისო ტურიზმი როგორც მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში საქართველოს ინტეგრატორი	04 დეკემბერი, 2015 მარიუპოლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უკრაინა
3	ლ.ყორღანაშვილი	საერთაშორისო ბიზნესის კულტურული გარემო რუსეთში	21-23 ოქტომბერი, 2015. ჰელსინკის უნივერსიტეტი, ფინეთი
4	ლ.ყორღანაშვილი	ინტეგრაციულ პროცესებში საქართველოს მონაწილეობის ეკონომიკურ- გეოგრაფიული ასპექტები	21-23 ივნისი, 2015 პოზნანის ადამ მიცკევიჩის უნივერსიტეტი, პოლონეთი
5	ლ.ყორღანაშვილი	საქართველოსა და უკრაინის სავაჭრო ურთიერთობები ტრანსფორმაციის პირობებში	28-29 ივნისი, 2015 ოდესის ეკონომიკის ეროვნული უნივერსიტეტი, უკრაინა
6	ლ. პტაშენკო, ლ.ყორღანაშვილი	ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემაში ფინანსური ტერორიზმის შესახებ საერთაშორისო სამართლის დაცვა	21-22 ივნისი, 2015 პოლტავის ეროვნული ტექნიკური უნივერსიტეტი, უკრაინა
7	ლ.ყორღანაშვილი	საქართველოს ადამიანური რესურსების განვითარება ცოდნის ეკონომიკის კონტექსტში	19 მაისი, 2015 მენეჯმენტის სკოლა, ბრატისლავა, სლოვაკეთი

ანოტაციები

1. უკანასკნელ წლებში მსოფლიო ეკონომიკაში გაიზარდა საერთაშორისო ტურისტული ბიზნესის მნიშვნელობა. გლობალიზაციის პროცესების ზემოქმედებით გაჩნდა მისი განვითარების ახალი შესაძლებლობები, იცვლება მოგზაურობების გეოგრაფიული

სტრუქტურა და ყალიბდება ახალი სივრცობრივი ურთიერთობები. ტურისტული ბიზნესის განვითარებაში დიდ როლს თამაშობს მეზობლობის ფაქტორი. ნაშრომში გაანალიზებულია საერთაშორისო ტურისტული ბიზნესის განვითარების თანამედროვე ტენდენციები და ნაჩვენებია მეზობლობის ფაქტორის როლი მის განვითარებაში.

2. ნაშრომში გაანალიზებულია საერთაშორისო ტურიზმის განვითარების თანამედროვე ტენდენციები საქართველოში, მისი კონკურენტუნარიანობა, ადგილი და როლი ეროვნულ და მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში.
3. ნაშრომში გაანალიზებულია რუსეთში საერთაშორისო ბიზნესის განვითარების თანამედროვე პრინციპები და გამოწვევები, ძირითადი კულტურული ფასეულობები და მათი ცვლილებები პოსტსაბჭოთა პერიოდში, კულტურული გერემოს როლი და მნიშვნელობა უცხოელი ბიზნესმენებისათვის.
4. ნაშრომში გაანალიზებულია შ ჩ-სა და სუამ-ის ინტეგრაციულ დაჯგუფებებში საქართველოს მონაწილეობის არსებული მდგომარეობა, განხილულია რეგიონული თანამშრომლობის გეოგრაფიულ-ეკონომიკური ასპექტები, ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების პერსპექტივები, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.
5. ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოსა და უკრაინის პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის შედეგები, ორი ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობების თანამედროვე ტენდენციები და მათი განვითარების პერსპექტივები ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის ფონზე.
6. ნაშრომში გაშუქებულია ფინანსური ტერორიზმის შესახებ საერთაშორისო სამართლის მოთხოვნები და მათი დაცვის მდგომარეობა საქართველოსა და უკრაინის ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემაში.
7. ნაშრომში გაანალიზებულია ცოდნის ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში და მისი როლი ქვეყნის ადამიანური რესურსების განვითარებაში, ნაჩვენებია უნივერსიტეტების, მრეწველობისა და სახელმწიფოს ურთიერთობის პრობლემები და მათი ოპტიმიზაციის შესაძლებლობები.

ასოცირებული პროფესორი უშანგი სამადაშვილი

I.1. <u>საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით</u> 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	**International Business: Enviroments and Operations** Authors: John Daniels, Lee Radebaugh, Daniel Sullivan, 14 edition, 2015, გვ. 888. ინგლისურიდან თარგმნილი სახელმძღვანელოს- დენიელსი ჯ; რადება ლ; სელივანი. საერთაშორისო ბიზნესი. გარე სამყარო და საქმიანი ოპერაციები. რედკოლეგიის წევრი	პროფესორი - თემურ შენგელია	თემურ შენგელია, უშანგი სამადაშვილი, შოთა ვეშაპიძე, ხათუნა ბერიშვილი

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**უშანგი სამადაშვილი.** Ushangi Samadashvili.	ბიზნესის საფუძვლები. Bases of business. სახელმძღვანელო. (მეხუთე გამოცემა, გადამუშავებული, დამატებებით). თეორია, დედააზრი ჩანართით, პრაქტიკუმი, სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომების თემატიკა.	თბილისი. "მერიდიანი" 2015 წ.	-588გვ.

ანოტაცია

სახელმძღვანელო შესრულებულია დისციპლინის ჩარჩო-პროგრამის მიხედვით. იგი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური პროფილის სტდენტების, პროფესორ-მასწავლებლების, დამწყები და მოქმედი მეწარმეებისა და მენეჯერებისათვის და ბიზნესით და ეკონომიკის საკითხებით დაინტერესებულ მკითხ ველთა ფართო წრისათვის. ნაშრომის ძირითადი ფასეულობა ახალი იდეები, მათი თეორიულ-პრაქტიკული ხასიათი და საქართველოს პირობებთან და თავისებურებებთან ადაპტირებაა.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**უშანგი სამადაშვილი**	საქართველოს საგარეო ეკონომიკური ორიენტაციის ვექტორის საკითხისათვის. **ISSN 0206-2828** ჟურნ."ეკონომიკა",	2015წ. №10-12	თბილისი	18

ანოტაცია

ნაშრომში დასაბუთებულია საქართველოს ეკონომიკაში არსებული არასახარბიელო მდგომარეობიდან გამოსვლაში ეკონომიკური ზრდის დაჩქარების ობიექტური აუცილებლობა და გამოკვეთილია მის რეალიზებაში საგარეო ეკონომიკური ორიენტაციის სხვადასხვა ვექტორის როლი.

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**Ushangi Samadashvili, PhD in Economics, Associate Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia**	**BUSINESS AND INNOVATIVE ECONOMIC-SOURCE FOR THE FORMATION OF THE MIDDLE CLASS IN GEORGIA. ISSN: 2196-9531 L´Association 1 Social Educational Project of 901 "SEPIKE" . Improving Knowledge in Economics Journal L´ Association 1901 "SEPIKE**	**Ausgabe 7 Osthofen, Deutschland Poitiers, 2014. France Los Angles, USA. 2015;**	**France Los Angles, USA. 2015. P.188-192**	**P.5**

ანოტაცია

ძლიერი საშუალო კლასის ფორმირება არის აუცილებელი პირობა პოსტსოციალისტურ საქართველოში ნამდვილად დემოკრატიული საზოგადოების, კონკურენტუნარიანი, ინოვაციური ეროვნული ეკონომიკისა და ეფექტიანი სახელმწიფოს შექმნისათვის.

საშუალო კლასი (middle class) არის საზოგადოების ნაწილი, რომელსაც თავისი სტატუსით უჭირავს საშუალო მდგომარეობა უმაღლესსა და დაბალ კლასს შორის. მასში შედის წარმატებული მცირე და საშუალო ბიზნესმენთა მრავალრიცხოვანი და მაღალანაზღაურებადი, კვალიფიციური მუშაკების ფართო ფენა.

დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ ჩვენთან მოსახლეობის დაახლოებით მესამედი შეიძლება მივაკუთვნოთ საშუალო ფენას. ჩვენ საშუალო კლასს ახასიათებს მოხმარების განსაზღრული სტანდარტები: ეს ადამიანები მასობრივი წარმოების პროდუქტს ყიდულობენ პოპულარული ბრენდებისაგან. მისი წარმომადგენლები მეტს აბანდებენ საკუთარი და ოჯახის წევრების განვითარებაში, ისინი უფრო ხშირად კითხულობენ ჟურნალებს, სტუმრობენ რესტორნებს, კინოთეატრებს, კონცერტებს და გამოფენებს, ვიდრე საშუალო ქართველი.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**Ushangi Samadashvili-** Ivane Javakhishvili Tbilisi State University,Tbilisi, Georgia. "Georgia: Where to Direct its foreign Economic Orientation Vector". 10th International Silk Road Conference "EU Association Agreement – Perspectives and Challenges", 22-23 May, TBILISI. 2015	"Georgia: Where to Direct its foreign Economic Orientation Vector".	10th International Silk Road Conference "EU Association Agreement – Perspectives and Challenges", 22-23 May, TBILISI. 2015

ანოტაცია

მოხსენებაში დასაბუთებულია საქართველოს ეკონომიკაში არსებული არასახარბიელო მდგომარეობიდან გამოსვლაში ეკონომიკური ზრდის დაჩქარების ობიექტური აუცილებლობა და გამოკვეთილია მის რეალიზებაში საგარეო ეკონომიკური ორიენტაციის სხვადასხვა ვექტორის როლი.

ხაზგასმულია, რომ ქვეყნის გარე სამყაროსთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ერთადერთი გზა, იქნება ეს ევროკავშირი, თუ ევრაზიული საბაჟო კავშირი, ეს არის გზა არსაით! სწორედ ამიტომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მთავარი ვექტორი უნდა იყოს დივერსიფიცირებული საერთაშორისო ბაზრები და ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების ეფექტიანი განხორციელება.

შემოთავაზებულია ურთიერთდაკავშირებული ღონისძიებები, რომელთა სამეურნეო ცხოვრებაში გატარება, ავტორის აზრით, ძლიერ გავლენას მოახდენს საქართველოს ევროკავშირთან და მსოფლიო ეკონომიკასთან ინტეგრაციის გაფართოებაზე, ეკონომიკურ ზრდაზე და, საბოლოო ანგარიშში, მოსახლეობის საყოველთაო და დიფერენციულ კეთილდღეობაზე.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	**პროექტის დასახელება:** ტრეინინგების ციკლი- **"როგორ წამოვიწყოთ და სრულვყოთ საკუთარი ბიზნესი".** საერთაშორისო	ნინო ელიზბარაშვილი	ნინო ელიზბარაშვილი უშანგი სამადაშვილი რევაზ ბურჭულაძე	სახელმწიფო ბიუჯეტი

	ასოციაცია ქალი და ბიზნესი - GEORGIAN ASSOCIATION "WOMEN IN BUSINESS.		**უშანგი სამადაშვილის როლი პროექტში:** პროექტის ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელი. *2015 წელი.*	
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები დასრულებული პროექტის შედეგად სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, ასევე პრობაციონერ და ყოფილ მსჯავრდებული ქალებს გამოუმუშავდათ ბიზნეს-ცოდნა და უნარ-ჩვევები ბიზნესის წამოწყებასა და სრულყოფა-განვითარებასთან დაკავშირებით				

ასოცირებული პროფესორი დავით სიხარულიძე

III. 1. <u>საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით</u> 2015 წლისათვის
დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ტექნოლოგიური გარემოს გავლენა ექსპორტის კონკურენტუნარიანობაზე	იაშა მესხია	1. იაშა მესხია 2. ლარისა ყორღანაშვილი 3. დავით სიხარულიძე 4. შოთა შაბურიშილი 5. ლეილა ქადაგიშვილი 6. ვახტანგ ჭარაია 7. ოთარ ანგურიძე 8. ე. მაღლაფერიძე

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები

სწრაფი ტექნოლოგიური ცვლილებები და დაჩქრებული გლობალური პროცესები რადიკალურად ცვლის კონტექსტს ეკონომიკური განვითარებისათვის. ეს ცვლილებები განვითარებულ ქვეყნებს სთავაზობს ფართო პერსპექტივას, როგორც მწარმოებლურობის ზრდის, ახალა რესურსებისა და ბაზრებისადმი წვდომის, ასევე სთავაზობს მნიშვნელოვან რისკს ეკონომიკური დისლოკაციის, სტაგნაციისა და მარგინალიზაციის კუთხით.

გამომდინარე აქედან შესაძლოა გამოვყოთ საქართველოს ექსპორტის კონკურენტუნარიანობის ოთხი ძირითადი გამოწვევევა: დივერსიფიკაცია, გადარჩენა, მწარმოებლურობა და მოდერნიზაცია. მოდერნიზაცია მიიღწევა ინოვაციების, ცოდნისა და ტექნოლგიების ტრანსფერისა და შთანთქმის საშუალებით, სწორედ ამ უკანასკნელზე გავამახვილებთ ყურადღებას და მის გავლენას ექსპორტის კონკურენტუნარიანოაბზე.

სწორედ ინოვაციური საქმიანობის სიმწირე განაპირობებს ქართული ფირმების არაკონკურენტუნარიანობას როგორც შიდა ასევე საგარეო ბაზრებზე. კვლევითი პროექტის ფარგლებშ განიხილება ინოვიური პროცესების სხვადასხვა პარამეტრის გავლენა ექსპორტის კონურენტუნარიანობაზე.

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**The Impacts of FDI on Domestic Investment (in case of Georgia)**	Social and Economic revue	Alexander Dubček University of Trenčín Volume 13, March 2015, no. 1	5

ანოტაციები

მულტინაციონალური საწარმოების ოპერაციების ზრდა პუი-ის საშუალებით განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებში მრავალი მკლევარისა და ანალიტიკოსის ყურადღების ცენტრში მოექცა მიმღებ ქვეყანაზე მისი მოსალოდნელი დადებითი გავლენის გამო. თუმცა კავშირი პუი-სა და შიდა ინვესტიციებს შორის დისკუსიის საგანს წარმოადგენს ეკონომიკურ ლიტერატურაში. ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომლის გარშემო მიმდინარეობს მწვავე დებატები არის ის თუ რამდენად ახდენს პუი-ი ადგილობრივი ინვესტიციების ჩათრევას ან გამოდევნას. მეორე საკითხი არის ეკონომიკური ეფექტი, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს პუი-ის საშალებით ახალი ან დიდი მოცულობის ადგილობრივი ინვესტიციების ჩათრევით. სხვა მხრივ პუი-ს შეუძლიათ უარყოფითი გავლენა მოახდინონ ნაკლებად კონკურენტუნარიანი სამამულო ფირმების გამოდევნით ადგილობრივი ბაზრიდან. კვლევის ძირითადი მცდელობაა შევისწავლოთ პუი-ის მიერ ადგილობრივი ინვესტიციების ჩათრევის ან გამოდევნის ეფექტის ხარისხი და პროცესი. კვლევაში ემპირიული ანალიზი ძირითადათ ეხება 1996-2013 წლებში პუი-სა და ადგილობრივ ინვესტიციებს შორის კავშირის დადგენას. კვლევის პროცესში გამოყენებული მონაცემები განისაზღვრება შემდეგი ცვლადებით, როგორიცაა მთლიანი ინვესტიციები, პუი-ის წილი მშპ-ში, ადგილობრიი ინვესტიციები წილი მშპ-ში. მშპ-ის ზრდის ტემპი. ეკონომეტრიკული ანალიზი გვიჩვენებს პუი-ს ადგილობრივი ინვესტიციებზე გავლენის გრძელვადიან ეფექტს საქართველოში.

ასოცირებული პროფესორი შოთა შაბურიშვილი

IV. 1. <u>საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით</u> 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	დონორი: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, „ბიზნესის ტექნოლოგიური გარემო საქართველოში და მისი გავლენა ექსპორტის გლობალურ კონკურენტუნარიანობაზე“, (ბიუჯეტი 9250 ლარი) 2015.	ი. მესხია	1. ი. მესხია 2. ლ. ყორღანაშვილი 3. შ. შაბურიშვილი 4. დ. სიხარულიძე 5. ლ. ქადაგიშვილი 6. ვ. ჭარაია 7. ო. ანგურიძე 8. ე. მაგლაფერიძე
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე) **კვლევა გრძელდება**			

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2	შ. შაბურიშვილი ლ. ქადაგიშვილი	**ტექნოლოგიური გარემოს ძირითადი პარამეტრები თანამედროვე ბიზნესში**	თსუ, პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: “თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში“ 23-24 ოქტომბერი, თბილისი 2015.	337-343
ანოტაცია **ტექნოლოგიური გარემოს ძირითადი პარამეტრები თანამედროვე ბიზნესში** ტექნოლოგიური გარემოს ცვლადების საფუძვლიანი ანალიზი და საერთაშორისო ბიზნესის კვლევებში ინკორპორირება დღეს განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსთვის, რომელიც ცდილობს გლობალური ბიზნესის სივრცეში სრულფასოვან და კონკურენტუნარიან სუბიექტად ინტეგრირებას. ამ მიმართულებით ერთ-ერთი				

მნიშვნელოვანი ნაბიჯია ქვეყნის ორიენტაცია საერთაშორისო საქმიანი ურთიერთობების დივერსიფიკაციაზე, რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება. საგარეო ფაქტორი ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობად არის მიჩნეული. ამ თვალსაზრისით კი მეტად მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია საქართველოში ტექნოლოგიური გარემოს არსებული მდგომარეობის შესწავლა, ანალიზი, შეფასება და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება პოტენციური უცხოელი პარტნიორებისათვის, რომლებიც, უმეტეს შემთხვევაში, მსოფლიო ბაზარზე საქმიანობის დიდი გამოცდილების მქონე მსხვილი ტრანსნაციონალური კომპანიები არიან.

ბიზნესის ტექნოლოგიური გარემო, ფართო გაგებით ქვეყნის ინოვაციური პოტენციალის განმსაზღვრელ დინამუკურ პარამატრებთან ერთად, მოიცავს წარმოების ფაქტორების ერთობლიობას, აგრეთვე ინფრასტუუქტურულ კომპონენტებს, მატერიალურ და არამატერიალურ აქტივებს, რომელთა საშუალებითაც მიიღწევა ბიზნესის ოპერაციული ეფექტიანობის ზრდა, კონკურენტუნარიანი პროდუქციისა და მომსახურების წარმოება, მარტივდება საგარეო ბაზარზე შეღწევა.

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ი. მესხია, შ. შაბურიშვილი	**საერთაშორისო ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს კვლევის საფუძვლები**	გადაცემულია დასაბეჭდათ	პოლონეთი, სიდლცის საბუნებისმეტყველო-ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და სამართლის ფაკულტეტის სამეცნიერო ჟურნალი	1 თაბახი

ანოტაციები

საერთაშორისო ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს კვლევის საფუძვლები

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციაზე დაფუძნებულმა უწყვეტმა და პროგრესულმა ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა საყოველთაო სახე მიიღო. ეს უკანასკნელი თანდათანობით სპობს ტრადიციულ განსხვავებას დაბალ და მაღალტექნოლოგიურ დარგებს შორის და ქვეყნის განვითარების საერთო ვექტორს სტატიკური, დროებითი შეფარდებითი უპირატესობიდან ინოვაციებზე დაფუძნებულ დინამიკურ კონკურენტული უპირატესობისაკენ მიმართავს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქვეყნის ტექნოლოგიური გარემო, მისი კონკურენტული უპირატესობის გამსაზრვრელი მნიშვნელოვანი რესურსი ხდება, რომლის გარეშე შეუძლებელია საზოგადოების კეთილდღეობის არსებითად და მაღალი ტემპებით ზრდა.

რა არის ბიზნესის ტექნოლოგიური გარემო? რომელი ცვლადებით განისაზღვრება იგი? როგორია ქვეყნის ტექნოლოგიური გარემოს ზემოქმედება ბიზნესის განვითარებაზე და მის მენეჯმენტზე? ამ და სხვა მომიჯნავე კითხვებზე პასუხის მოლოდინშია მეწარმეთა დიდი ნაწილი, რომელთაც საერთაშორისო ბაზარებზე შეღწევის ან ადგილობრივ მეწარმეებთან ერთობლივი პროექტების განხორციელების სურვილი ამოძრავებთ. საერთაშორისო კომპანიების საქმიანობის თითქმის ყველა ასპექტი, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, საწარმოო ოპერაციების განხორციელება, მარკეტინგულ ქცევებზე გადაწყვეტილების მიღება, ასევე, ადამიანური რესურსების მწარმოებლურობა, ტექნოლოგიური გარემოს ცვლადების მნიშვნელოვან ზემოქმედებას განიცდის.

ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბერიშვილი

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ხ.ბერიშვილი	ლიზინგის როლი საერთაშორისო ბიზნესის განვითარებაში (მონოგრაფია)	თბილისი, უნივერსალი, 2015	170

ანოტაცია

საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებისა და წარმოების მოძველებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაჩქარებული განახლების აუცილებლობის პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საერთაშორისო ლიზინგი, როგორც მეწარმეობის ფორმა, და ამავე დროს, როგრც საწარმოთა შეზღუდული რესურსების პირობებში მათი ახალი და უახლესი ტექნიკით გადაიარაღების საშუალება.

წარმოებას ყველა შესაძლებლობა აქვს (ნედლეული, კვალიფიციური კადრები და ა.შ) გამოუშვას იმპორტშემცველი პროდუქცია და არა მარტო დააკმაყოფილოს ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნა, არამედ აწარმოოს პროდუქციის ექსპორტიც. მაგრამ ასეთი კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოსაშვებად საწარმოებს სჭირდებათ თანამედროვე წარმოების ტექნიკა და ტექნოლოგია, რომლის შეძენის ფინანსური სახსრები მათ ან მეტად შეზღუდული აქვთ, ან საერთოდ არა აქვთ.

ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი საშუალება, რომლის მეშვეობით შეიძლება მსხვილმასშტაბიანი ინვესტიციების განხორციელება კაპიტალურ აქტივებში არის საზღვარგარეთ ფართოდ გამოყენებული ლიზინგი.

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1	Berishvili KH.	Role of Technological Transfeer in Economic development of the recipient Country	Las Vegas Economic Jornal	Las Vegas 2015	pp. 31–36
2	Kh.Berishvili	Analysis of Political and Economic Environment from the Viewpointof Gender Equality Social Function of Gender in Development of Global Business	JIJST, Nova Scinse Pablishers Inc. 2015, Vol. 2, pp. 1-8, New York, USA. პ.გუგუშვილის თსუ-ს ეკონომიკის ინსტიტუტის კრებული	New York, USA. 2015 2015 ივნისი	pp. 1-8, Gv.22-29

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ბერიშვილი ხ.	რელიგია, როგორც ზნეობრიობის სუბსტანცია და ეკონომიკური ზრდის მოტივატორი	5-6 სექტემბერი ბათუმი, ბსუ, 2015
2	ბერიშვილი ხ.	სამართლებრივი გარემოს ცვლის ტენდენციები საქართველოში და მათი ზეგავლენა ბიზნესის განვითარებაზე	სტუ, 2015

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Kh. Berishvili	Romanian rural tourism in the context of sustainable development. Present and prospects	***Institute of Economic Research.*** MARD - former TICDC). Vatra Dornei (**Romanian *"CEFIDEC"***), 23 Runc

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	**International Business: Environments operations.Fouteenth edition. Au John D. Daniels; Lii H.Radeba Daniel P. Sullivan. (2013) . ISBN – 13;978-0-13-2668 ISBN – 10; 013-266866-1. 844p ages. საერთაშორისო ბიზ-ნესის სახელმძღვა-ნელოს ინგლისურიდან ქართულად თარგმნა რედაქტირება. (თსუ-ს სა-გრანტო პროექტი)** ,,	პროფ. თ.შენგელია	ასოც.პროფ. ხ.ბერიშვილი; ასოც.პროფ.უ.სამა დაშვილი პროფ. შ.ვეშაპიძე	ივ.ჯავახიშვილის სახ.თსუ

ასისტენტ პროფესორი ლეილა ქადაგიშვილი

V. 1. <u>საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით</u> 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

(№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	**დონორი:** ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, „ბიზნესის ტექნოლოგიური გარემო საქართველოში და მისი გავლენა ექსპორტის გლობალურ კონკურენტუნარიანობაზე“, (ბიუჯეტი 9250 ლარი) 2015.	ი. მესხია	9. ი. მესხია 10. ლ. ყორღანაშვილი 11. შ. შაბურიშვილი 12. დ. სიხარულიძე 13. ლ. ქადაგიშვილი 14. ვ. ჭარაია 15. ო. ანგურიძე 16. ე. მაგლაფერიძე

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	შ. შაბურიშვილი ლ. ქადაგიშვილი	**ტექნოლოგიური გარემოს ძირითადი პარამეტრები თანამედროვე ბიზნესში**	თსუ, პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: "თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში" 23-24 ოქტომბერი, თბილისი 2015.	337-343
2	ლ. ქადაგიშვილი	ОСОБЛИВОСТІ ІНТЕГРАЦІЇ КРАЇН У СВІТОВИЙ ЕКОНОМІЧНИЙ ТА ПОЛІТИКО-ПРАВОВИЙ ПРОСТІР	МАТЕРІАЛИ II Міжнародної науково-практичної конференції 04 грудня 2015 р.	33-34

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. ტექნოლოგიური გარემოს ძირითადი პარამეტრები თანამედროვე ბიზნესში

ტექნოლოგიური გარემოს ცვლადების საფუძვლიანი ანალიზი და საერთაშორისო ბიზნესის კვლევებში ინკორპორირება დღეს განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსთვის, რომელიც ცდილობს გლობალური ბიზნესის სივრცეში სრულფასოვან და კონკურენტუნარიან სუბიექტად ინტეგრირებას. ამ მიმართულებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ქვეყნის ორიენტაცია საერთაშორისო საქმიანი ურთიერთობების დივერსიფიკაციაზე, რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება. საგარეო ფაქტორი ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობად არის მიჩნეული. ამ თვალსაზრისით კი მეტად მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია საქართველოში ტექნოლოგიური გარემოს არსებული მდგომარეობის შესწავლა, ანალიზი, შეფასება და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება პოტენციური უცხოელი პარტნიორებისათვის, რომლებიც, უმეტეს შემთხვევაში, მსოფლიო ბაზარზე საქმიანობის დიდი გამოცდილების მქონე მსხვილი ტრანსნაციონალური კომპანიები არიან.

ბიზნესის ტექნოლოგიური გარემო, ფართო გაგებით ქვეყნის ინოვაციური პოტენციალის განმსაზღვრელ დინამუკურ პარამატრებთან ერთად, მოიცავს წარმოების ფაქტორების ერთობლიობას, აგრეთვე ინფრასტუუქტურულ კომპონენტებს, მატერიალურ და არამატერიალურ აქტივებს, რომელთა საშუალებითაც მიიღწევა ბიზნესის ოპერაციული ეფექტიანობის ზრდა, კონკურენტუნარიანი პროდუქციისა და მომსახურების წარმოება, მარტივდება საგარეო ბაზარზე შეღწევა.

2. საქართველოს გეოეკონომიკური მდებარეობა: რეალობა და პერსპექტივები

შეიძლება ითქვა, რომ საქართველოს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გეოეკონომიკური (ტრასეკა, ენერგეტიკული დერეფანი, ყარსი-ახალქალაქის რკინიგზა და სხვ.) მდებარეობა აქვს. ეკონომიკურ- გეოგრაფიული თვალსაზრისით, საქართველო ევროპისა და აზიის შესაყარზე მდებარეობს და ოდითგან დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცივილიზაციების დამაკავშირებელ ხიდს წარმოადგენდა. ქვეყნის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი სატრანსპორტო, სატრანზიტო მაგისტრალების მშენებლობამ უზრუნველყო ეკონომიკური განვითარება და საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებში ჩართვა. სტატიაში შემოთავაზებულია საქართველოს გეოეკონომიკური

მდებარეობის ანალიზი და გაკეთებულია დასკვნა, რომ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მდებარეობის გამო, საქართველოს ეძლევა შესაძლებლობა, აქტიურად ჩაერთოს მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში და ამ პროცესებიდან მიიღებული შედეგებით უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარება და მოსახლობის კეთილდღეობის დონის ამაღლება.

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინხტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება - ***მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრა***

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი ***პროფესორი დავით ნარმანია***

I.3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა –

პროფესორი გიორგი ღაღანიძე
ასოცირებული პროფესორი ვასილ კიკუტაძე
ასოცირებული პროფესორი ნუგზარ პაიჭაძე
ასოცირებული პროფესორი ბადრი რამიშვილი
ასოცირებული პროფესორი გიული ქეშელაშვილი
ასოცირებული პროფესორი გიორგი შიხაშვილი
ასოცირებული პროფესორი ეკა ჩოხელი
ასოცირებული პროფესორი ნატალია ხარაძე
ასისტენტ პროფესორი ეკა გულუა

პროფესორი დავით ნარმანია

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**Eka Chokheli, Davit Narmania**	**Impact of Corporate Social Responsibility on the Competitiveness of Companies,** Proceedings of Materials of International Scientific-Practical Conference Dedicated to the 110th Birth Anniversary of Academician Paata Gugushvili; „Actual problems of sustainable development of national economics“.	**№1; 2015/ 07/10-11**	**Tbilisi** http://www.pgie.tsu.ge/contentimage/konferenciebi/2015_.pdf	**6**
2	**ეკა ჩოხელი, დავით ნარმანია**	**თანამედროვე საინფორმაციო სისტემების მნიშვნელობა მენეჯმენტში,** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო სამეცნიერო	**2015/ 10/23-24**	**თბილისი უნივერსალი**	**11**

		კონფერენციის "თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში" მასალათა კრებული.			
3	დავით ნარმანია	**თბილისი-მომავლის ქალაქი,** ჟურნალი "Georgia Finance"	spring, 2015	**თბილისი**	**4**

ანოტაციები

სტატიაში **„კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის გავლენა კომპანიების კონკურენტუნარიანობაზე"** განხილულია სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობა კომპანიების კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში. შეფასებულია საქართველოში მოქმედ კომპანიებში სოციალური პაუხისმგებლობის დონე და ის მიმართულებები, რომლებსაც ისინი აქტიურად იყენებენ. ანალიზის საფუძველზე შემუშავებულია რეკომენდაციები, რომლებიც კომპანიებს ახალ შესაძლებლობებს მისცემთ და კონკურენტუნარიანობის შექმნასა და ამაღლებაში ხელს შეუწყობს.

სტატიაში **„თანამედროვე საინფორმაციო სისტემების მნიშვნელობა მენეჯმენტში"** განხილულია კომპანიების მართვაში საინფორმაციო სისტემების ადგილი. გაანალიზებულია თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ტენდენციები, შეფასებულია საქართველოს ბაზარზე მოქმედ კომპანიებში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების დონე.

სტატიაში "**თბილისი-მომავლის ქალაქი**" განხილულია თბილისის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები, რომელთა გადაწყვეტამ თბილისის ენერგოეფექტურ და ეკოლოგიურ ქალაქად გადაქცევა უნდა უზრუნველყოს.

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ-ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**Eka Chokheli. Davit Narmania**	**Information Technologies in Management and Prospects to improve their use by Georgian companies,** International Journal of Recent Scientific research	**Vol. 6, Issue, 9, September, 2015**	**athttp://www.recentscientific.com**	**14**

ანოტაცია

სტატიაში "**ინფორმაციული ტექნოლოგიები მენეჯმენტში და მათი გამოყენების დონის ამაღლების პერსპექტივები ქართულ კომპანიებში**" განხილულია ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი ბიზნესკომპანიების მართვის პროცესში, კერძოდ კი მენეჯერების მიერ სწორი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. შეფასებულია საქართველოს ბაზარზე მოქმედ კომპანიებში მენეჯერების მიერ ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების დონე, და შემუშავებულია რეკომენდაციები, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების დონის და მენეჯერული გადაწყვეტილების მიღების ხარისხის ამაღლებას.

პროფესორი გიორგი ღაღანიძე

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გიორგი ღაღანიძე	კონკურენტული უპირატესობის ძიებაში "ეკონომიკა და ბიზნესი"	1	თბილისი	14
2	გიორგი ღაღანიძე	საექსპორტო პოტენციალი და კონკურენტული უპირატესობა "ეკონომიკა და ბიზნესი"	3	თბილისი	9
3	გიორგი ღაღანიძე	საქართველოს საექსპორტო პოტენციალის რეალიზაცია ევროკავშირის ბაზარზე "ეკონომიკა და ბიზნესი" (ჩაშვებულია გამოსაცემად)	4	თბილისი	12

ანოტაციები

1. სტატიაში განხილულია კონკურენტული უპირატესობის გამოვლენისა და ფორმირების სხვადასხვა საკითხები. ავტორის მიერ წარმოდგენილია კონკურენტული უპირატესობის მიღწევის რესურსული მიდგომისათვის შემუშავებული სპეციალური კლასიფიკაცია

(“პირამიდა”)\ 2. სტატიაში განხილულია კონკურენტული უპირატესობის გამოვლენის კონკრეტული ფორმები, გაანგარიშებულია ვაჭრობის ინტენსივობის ინდექსის საფუძველზე საექსპორტო პოტენციალის ათვისების მაჩვენებლები ევროკავშირის ბაზარზე. 3. სტატიაში ევროკავშირს ბაზარზე საექსპორტო პოტენციალის ათვისების საკითხები განხილულია ექსპორტის ერთგვაროვნებისა (კინკერ-ფრეინინის ინდექსი) და შიდა დარგობრივი ვაჭრობის (გრუბელ-ლოიდის ინდექსი) საფუძველზე. აღნიშნული მეთოდიკით გაანალიზებულია კონკრეტული სასაქონლო ჯგუფების (4 ნიშნა დონეზე) საექსპორტო პოტენციალი ევროკავშირში.

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატია

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გიორგი ღაღანიძე	1. ქართული სასოფლო სამეურნეო პროდუქციის კონკურენტუნარიანობა ევრო კავშირის ბაზარზე (კონკურენტუნარიანობის ანალიზისა და შესვლის სტრატეგიების საფუძველზე), ბიზნესის კვლევის ევროპული ჟურნალი, გამოცემა 15, ტომი 2, 2015, ISSN:1945-2977.	2. გამოცემა 15, ტომი 2, 2015, ISSN:1945-2977.	აშშ	6
ანოტაცია ავტორის მიერ გაანგარიშებულია ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კონკურენტუნარიანობა ევროკავშირის ბაზარზე, შემოთავაზებულია კონკრეტული მეთოდიკა და გაანალიზებულია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მაგალითზე. საექსპორტო ბაზრები რანჟირებულია ზრდის ტემპისა და ბაზრის ტევადობის მიხედვით.					

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1	გიორგი ღაღანიძე	ქართული არა-სასოფლო სამეურნეო პროდუქციის კონკურენტუნარიანობა ევროკავშირის ბაზარზე	დუბაი, 2-3 თებერვალი,
2	გიორგი ღაღანიძე	ქართული სასოფლო სამეურნეო პროდუქციის კონკურენტუნარიანობა ევრო კავშირის ბაზარზე	რომი, 17-19 ივნისი

მოხსენებათა ანოტაციები

1. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო არეალის ფორმირების შემდეგ აღნიშნული ბაზარი ყალიბდება, როგორც ძირითადი საექსპორტო ბაზარი საქართველოსათვის. ამდენად აღებულია ყველა შესაბამისი სასაქონლო ჯგუფი კლასიფიკაციის 4 ნიშნა დონეზე, გაანალიზებულია მათი ზრდის დინამიკა, ევროკავშირის ბაზრის შესაბამისი ტენდენციები და შეფასებულია ამ ბაზარზე ქართული საექსპორტო პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობები.
2. ქართული სასოფლო სამეურნეო პროდუქციისათვის ევროკავშირი ყალიბდება, როგორც ძიღითადი საექსპორტო ბაზარი, ამდენად მნიშვნელოვანია ყველა ტენდენცია, რომელიც ყალიბდება ამ ბაზარზე: ზრდის ტემპი, იმპორტის მოცულობა, ძირითადი იმპორტიორები და ა.შ.

ასოცირებული პროფესორი ბადრი რამიშვილი

პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ბ. რამიშვილი	საქართველოს პოზიცია გლობალურ გეოსტრატეგიულ ლანდშაფტში	2015 წ. №1	თბილისი თსუ	39-53 გვ. 14 გვ. – A4
2	ბ. რამიშვილი	ენერგეტიკული ტრენდის განვითარების მიმართულებები და მისი გავლენა საქართველოს სტრატეგიულ მდგომარე-ობაზე “ეკონომიკა და ბიზნესი”	2015 წ. №2	თბილისი თსუ	72-93 გვ. 20 გვ. – A4
3	პ. კოღუაშვილი ბ. რამიშვილი	რამდენი ადამიანი შეიძლება ცხოვ-რობდეს და საქმიანობდეს სოფლად	2015 წ. №11	თბილისი “ასკა” “რეგიონიკა”	6-12 გვ. 9 გვ. – A4

		“აგრარული საქართველო”			

ანოტაციები

საქართველოს პოზიცია გლობალურ გეოსტრატეგიულ ლანდშაფტში

მსოფლიოში, კონკრეტულად კი საქართველოს მახლობლად მიმდინარე მოვლენები ეპოქალურია თავისი მნიშვნელობით და მისი ანალიზი სრულიად აუცილებელია ჩვენი ქვეყნის განვითარების სტრატეგიის ფორმირებისთვის. რადგან, თანამედროვე ეპოქისთვის დამახასიათებელი დინამიკურობა არ იძლევა ხანგრძლივი პროგნოზების კეთების შესაძლებლობას, ამიტომ კარგი გამოსავალია 5-10 წელიწადში ერთხელ შესრულდეს იმ ფუნდამენტური ძალების მიმართულებისა და ზემოქმედების ხარისხის შესწავლა, რომლებიც მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის. სტატიაში ამ მიზნით გაანალიზებულია იმ გლობალური ძალების ეკონომიკური პოტენციალი, რომლებიც გავლენას ახდენს საქართველოს გეოსტრატეგიულ პოზიციაზე.

ავტორის აზრით გლობალური ძალა არის იმ ცივილიზაციათა ან ცივილიზაციისა და სხვა ცივილიზაციის ცალკეული წარმომადგენლების ერთობა, რომელთაც განვითარების თანამედროვე ეტაპზე თანმხვედრი ინტერესები აქვთ და პლანეტარული მასშტაბით კონსოლიდირებულად მოქმედებენ მათ გასატარებლად. ასეთად სტატიაში მიჩნეულია დასავლური, რუსეთის გარშემო ფორმირებადი, ჩინური და ისლამური ძალები, რომელთაგან პირველი სამის ეკონომიკური პოტენციალი გაანალიზებულია ნაშრომში. ამ ძალებს შორის ბალანსის ფორმირებაზე მოქმედებს ხუთი მეგატრენდი. ესენია: ეკონომიკური, ენერგეტიკული, დემოგრაფიული, ტექნოლოგიური და მილიტარისტული მეგატრენდები. მეგატრენდში ავტორი პლანეტარული მნიშვნელობის იმ განვითარებად ფაქტორებს გულისხმობს, რომლებიც უმთავრეს ზემოქმედებას ახდენენ მსოფლიო გეოსტრატეგიული ლანდშაფტის ფორმირებაზე.

ავტორი ფარდობითი შეფასების მეთოდს იყენებს და აანალიზებს 1989 წელს მთლიანი ეროვნული პროდუქტის მაჩვენებლებს საბჭოთა ბლოკისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ქვეყნების მიხედვით და აღნიშნავს რომ ეკონომიკური პოტენციალის ფარდობითი კოეფიციენტი ამ პერიოდისთვის იყო 1:3.8-თან. 2014 წლის ბოლოსთვის რუსეთისა და მისი სატელიტების მთლიანი ეკონომიკური პოტენციალისა და დასავლური ძალის ეკონომიკური პოტენციალის ფარდობითი კოეფიციენტი იყო დაახლოებით 1:14.1-თან. ეს მაჩვენებელი 2019 წლის ბოლოსთვის იქნება 1:14.8-თან, ხოლო 2024 წლის ბოლოსთვის კი 1:14.1-თან. ევრაზიული კავშირისა და ჩინეთის ეკონომიკური პოტენციალის თანაფარდობა შემდეგნაირად გამოიყურება: 2014 წელი - 1:4.7-თან, 2019 წლის ბოლოს 1:6.3 და 2024 წლის ბოლოსთვის კი ეს მაჩვენებელი ტაივანთან ერთად იქნება 1:7,6-თან, ხოლო მხოლოდ ჩინეთის შემთხვევაში კი 1:7.3-თან. როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს დასავლურ და რუსეთის ბლოკებს შორის ეკონომიკური პოტენციალის თანაფარდობა ამ უკანასკნელისთვის 3,7-ჯერ არის გაუარესებული. ასეთ ვითარებაში რუსეთისა და მასთან ასოცირებული ნებისმიერი რეგიონული გაერთიანების პერსპექტივები, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი პოლუსისა, რბილად რომ ვთქვათ, არარეალურად გამოიყურება, ხოლო ამას თუ დავუმატებთ ამ ქვეყნის მზარდ აგრესიულობას, დასკვნა ცალსახაა: დაპირისპირების ცხელ ან თუნდაც ნელ-თბილ ფაზაში გადაყვანა ფატალური შედეგის მომტანი იქნება რუსეთისთვის. შედეგად საქართველოსთვის დასავლური არჩევანი არამარტო მსოფლმხედველობრივია არამედ პრაგმატულიც, რაც ზუსტ რაოდენობრივ ანალიზსაც ეყრდნობა.

ენერგეტიკული ტრენდის განვითარების მიმართულებები და მისი გავლენა საქართველოს სტრატეგიულ მდგომარეობაზე

ენერგეტიკულ სექტორში მიმდინარე მოვლენები უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს მსოფლიო გეოსტრატეგიული ლანდშაფტის ჩამოყალიბებაზე. ეს უკიდურესად აქტუალურია საქართველოსთვისაც. თუნდაც იმიტომ, რომ, ის იმ რეგიონის ცენტრში მდებარეობს, სადაც მსოფლიო ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხი წყდება. სწორედ ამიტომ უაღრესად მნიშვნელოვანია ამ მიმართლებით მიმდინარე პროცესების ანალიზი და საშუალო თუ გრძელვადიან პერსპექტივაში მოვლენათა განვითარების პროგნოზირება.

გლობალური ენერგეტიკული ტრენდის განვითარების მიმართულების დასადგენად სტატიაში ანალიზის მეთოდია გამოყენებული, კერძოდ, იგი დაშლილია რამდენიმე ვექტორად, რომლებიც განსაკუთრებულ გავლენას ახდენენ მსოფლიო ენერგეტიკულ პოლიტიკაზე. კერძოდ, უპირველესი ვექტორი, რომელიც მონაწილეობს ენერგეტიკული ტრენდის ჩამოყალიბებაში, არის ე.წ. წიაღისეული ენერგორესურსების მიწოდება-მოხმარების საკითხი, სადაც უდიდეს როლს ე.წ. ნახშირწყალბადოვანი საწვავი ასრულებს. მეორე ვექტორია ენერგოეფექტიანობისადმი სულ უფრო მზარდი ყურადღება.

ენერგოტრენდზე მოქმედი მესამე ვექტორია უკიდურესად გააქტიურებული საერთაშორისო ეკოლოგიური მოძრაობა. ამ კუთხით, ავტორი მსჯელობს დეკარბონიზაციის (გარემოში ნახშირორჟანგის ემისიის შემცირება) და ატომური ენერგეტიკის პრობლემებზე. მეოთხე, უმნიშვნელოვანესი ვექტორია განახლებადი ენერგიის წყაროები, რომელთაგან ჰიდროენერგეტიკა ტრადიციულია, ხოლო დანარჩენი მნიშვნელოვანი ორი კი - მზისა და ქარის ენერგეტიკა, ამჟამად უსწრაფესად ვითარდება. მეხუთე ვექტორი, რომელიც, გრძელვადიან პერსპექტივაში გადამწყვეტ როლს ითამაშებს მსოფლიო ენერგეტიკულ ტრენდის ფორმირებაზე, არის ადამიანის მიერ თერმობირთვული რეაქციის დამორჩილების პრობლემა. ავტორი ამ საკითხს კადარაშის საერთაშორისო პროექტის კონტექსტით განიხილავს.

ავტორი ნაშრომში ასაბუთებს, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით დედამიწაზე ნავთობისა და ბუნებრივი აირის ფაქტობრივად შეუზღუდავი რესურსები არსებობს და იძლევა პროგნოზს, რომ ნავთობის ფასი გრძელვადიან პერიოდში, თუ მსოფლიოში რაიმე კატაკლიზმა არ მოხდა, 40-70 აშშ დოლარი იქნება. მისი აზრით, ბუნებრივ აირზე ფასწარმოქმნაც საბაზროსთან მიახლოებული იქნება.

ნავთობზე ფასების შენარჩუნება ავტორის მიერ პროგნოზირებად დერეფანში საქართველოსთვის სამ შედეგს წარმოშობს: პირველი - შედარებით მცირე ფასები დადებითია ქვეყნისთვის, რადგან ის ნავთობისა და ნავთოპროდუქტების ნეტომომხმარებელი ქვეყანაა. ამიტომ ნავთობზე ფასების შემცირება შესაბამისად ზრდის საქართველოს ეკონომიკაში დარჩენილი ვალუტის ოდენობას. ნავთობზე ფასების შემცირება და ზოგადად ნახშირწყალბადოვანი საწვავის ბაზარზე შექმნილი ვითარება დადებითი მოვლენაა მეორე მხრივაც - კერძოდ, ეს მნიშვნელოვნად ამცირებს რუსეთის ძლიერებას. ერთი მხრივ ეს ქვეყანა კარგავს მნიშვნელოვან სავალუტო შემოსავლებს, ხოლო, მეორე მხრივ კი, ბუნებრივი აირის მისი უდიდესი რეზერვები აღარ იქნება ევროპისთვის უალტერნატივო. ნავთობის ფასების დაცემას საქართველოსთვის უარყოფითი დატვირთვაც აქვს - ეს გამოიწვევს სატრანზიტო სავალუტო შემოსავლების შემცირებას.

ავტორის აზრით, საქართველომ უნდა გაითვალისწინოს ენერგეტიკული ვექტორების განვითარების მიმართულებები. განსაკუთრებით აქტუალური კი ამ მხრივ ენერგოეფექტიანობის ზრდა, განახლებადი ენერგეტიკის განვითარება და ეკოლოგიური ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავება იქნება.

რამდენი ადამიანი შეიძლება ცხოვრობდეს და საქმიანობდეს სოფლად

რა რაოდენობის ადამიანის გამოკვება შეუძლია ჩვენი ქვეყნის აგრარულ პოტენციალს, სასურსათო უსაფრთხოების რომელი მოდელი უნდა შევარჩიოთ, როგორი უნდა იყოს სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა, ამ და სხვა მსგავსი ფუნდამენტური პრობლემების გადასაწყვეტად აუცილებელია იმის დადგენა, თუ რამდენი ადამიანი უნდა ცხოვრობდეს საქართველოში სოფლად. გარდა ამისა, სტრატეგიული განვითარების კონტექსტით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის ტერიტორიაზე მოსახლეობის ეფექტიანად გაადგილებას. ამ მიმართულებით კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლად მცხოვრებთა შეძლებისდაგვარად ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრა. სამწუხაროდ გასულ წლებში ეს საკითხი ერთი მხრივ პოლიტიზებული იყო, ხოლო მეორე მხრივ კი მასში დილეტანტური ჩარევის მრავალი შემთხვევა დაფიქსირდა, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა ის. წარმოდგენილი ნაშრომი კიდევ ერთი მცდელობაა ავტორთა მხრიდან, რათა პრობლემის გადაწყვეტა მეცნიერულად დასაბუთებულ არგუმენტებს დაემყაროს. ამასთან, ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ადამიანური ფაქტორი ზოგადად საქართველოს ეკონომიკური და კერძოდ სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარების ძირითადი მიზანია და ეკონომიკურად, სოციალურად, ფსიქოლოგიურად, კულტურულად, დემოგრაფიულად ღონიერი სოფელი ერის თვითმყოფადობის შენარჩუნების საფუძველია.

წარმოდგენილ ნაშრომში, ავტორებს, საკუთარი ადრე შესრულებული კვლევების საფუძველზე, მოაქვთ საქართველოს სოფლად მცხოვრებთა და სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ოპტიმალური მაჩვენებლები. ამასთან, ისინი მიუთითებენ, რომ სოფლად მოსახლეობის რეალური დასაქმებისა და შედარებით მოკლე დროში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სათანადო დონის მიღწევა მხოლოდ სისტემური ცვლილებებითა და კომპლექსური ღონისძიებების გატარებით არის შესაძლებელი. რისთვისაც, ავტორთა აზრით, ერთ-ერთი მძლავრი იარაღი კოოპერაციული მოძრაობის ფორსირებული განვითარებაა.

მონოგრაფიის რეცენზირება

ა) საქართველოში

№	ავტორი/ ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	რეცენზენტები
	პროფესორი ნ. ჩიხლაძე	შრომის გააზრების მართლმადიდებლური და ეკონომიკური საკითხები	აკაკი წერეთლის სახელმწი-ფო უნივერსიტეტის გამომ-ცემლობა ქუთაისი 2015	დეკანოზი ე. წულუკიძე პროფესორი ა. ბაკურაძე პროფესორი ბ. რამიშვილი

ასოცირებული პროფესორი ვასილ კიკუტაძე

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ვასილ კიკუტაძე	ახალი საჯარო მენეჯმენტის (NPM) პარადიგმები საქართველოში	საქართველო, თბილისი, 2015 წელი, ევრაზიის მესამე მულტიდისციპლინარული ფორუმი

ანოტაცია

ეკონომიკის კვლევისა და სწავლების ქართულ-ბერძნული ცენტრის საქმიანობა 2015 წელს წარიმართა სამეცნიერო კვლევებისა და სწავლების მიმართულებებით. კვლევის მიმართულებას ხელმძღვანელობს ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე, ხოლო სწავლების კუთხით საქმიანობას წარმართავს ასოცირებული პროფესორი მარინა ნაცვალაძე. ცენტრის ორგანიზაციული საკითხები, ყველა ინიციატივა და აქტივობა უშუალოდ განიხილება ბერძნული მხარის წარმომადგენლებთან, კონსესუსის პრინციპით.

ცენტრის წარმომადგენლები აქტიურად მუშაობენ სამეწარმეო განათლების პოპულარიზაციის საკითხზე მრავალი მიმართულებით. კერძოდ, ასოცირებული პროფესორი მარინა ნაცვალაძე 2015 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მიწვეულ იქნა საპილოტე სახელმძღვანელოს ***„მეწარმეობის საფუძვლები“*** შემფასებელ-ექსპერტად. პროექტი განხორციელდა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ინიციატივით.

ცენტრის წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და ფორუმებში. ასევე აქვეყნებენ სამეცნიერო სტატიებს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში. 2015 წლის განმავლობაში მათ მიერ მომზადდა და საჯაროდ წარდგენილ იქნა შემდეგი კვლევები:

1. ი. გაგნიძე, სამეწარმეო უნივერსიტეტი - განათლებისა, მეცნიერებისა და ბიზნესის ეფექტიანი პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი რგოლი, ჟ., ეკონომიკა (იბეჭდება), 2015;

2. Gagnidze I., Cluster as a tool for the Challenges of Development, STRATEGICA, III international conference, Bucharest, Romania, 2015;

3. ი. გაგნიძე, ეკონომიკის მდგრადი განვითარება მართლმადიდებული სწავლების ასპექტით, VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ქრისტიანობა და ეკონომიკა“ მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-ბათუმი, 2015, გვ. 31-35;

4. Gagnidze I., Membership of Cluster – one of the ways to business management improvement, Book of Abstract, 3th Business Systems Laboratory International Symposium, Advances in Business Management. Towards Systemic Approach, Perugia, Italy, January 21-23, 2015, p. 2-4;
5.ე. ლეკაშვილი, სამეწარმეო აზროვნება და მისი განვითარების პრობლემები საქართველოში, ჟ. „ ეკონომიკა და ბიზნესი“, ნოემბერ-დეკემბერი, 2015. გვ.57-75;
6.Lekashvili E., Silk Production in Georgia: History and Development Opportunities (Co- authors L. Lursmanashvili, E. Tukhashvili), International Conference: Fashion through History, Costumes, Symbols, Communication. Italy, Rome, (Sapienza University), 20-21 May, 2015;
7. Lekashvili E., Entrepreneurial Way of Thinking and Its Development Challenges in Georgia. L'Association 1901 „SEPIKE", Journal, Ausgabe 8,m Osthofen, Deutchland, Patiers, France, Los Angeles, USA. 31. 03.15.pp. 121-126;
8. ე. ლეკაშვილი, თბილისი, როგორც ტურიზმის ბაზრის აგენტი, აკაკი წერეთლისსახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაგეგმილი საერთაშორისო სამეცნიერო ფესტივალი, 2015 წლის 13-14 ნოემბერი, პირველი საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „თანამედროვე განვითარების ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პრობლემები–2015" http://atsu.edu.ge/Conferences/BLSS

ამასთან, ა.წ. 27 ოქტომბერს სამეწარმეო განათლების აქტუალურ საკითხებზე სადისკუსიოდ მონაწილეობა მივიღეთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ პროექტის LeAGUe-ის ფარგლებში EURAM-ის ვიცე პრეზიდენტის **ჰანს ლუნდბერგთან** შეხვედრაში. ჰანს ლუნდბერგმა წაიკითხა საჯარო ლექციას თემაზე "Learning as an entrepreneurial process", რომლის მიზანი იყო დამსწრე საზოგადოებისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია უწყვეტი განათლების მნიშვნელობაზე დღევანდელ მსოფლიოში. ასევე, სწავლისა და მეწარმეობის ურთიერთკავშირზე.

ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტის 2015 წლის ანგარიში

ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტი წარმატებით ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო საქმიანობას:

ა) ბერლინის ტექნიკურ უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი ვოლფგანგ ვენგი);

ბ) ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი გაკუნტერ ფალთინი);

გ) ცუკუბას უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი ნეანტრო საავედრა რივანო);

დ) პოტსდამის უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი ანგელა მიკლეი).

ინსიტუტის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში მომზადდა და ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

1. მესამე საერთაშორისო ეკონომიკურ-პოლიტიკური ფორუმი თემაზე: „მეწარმეობის ახალი კულტურის ფორმირებისა და განვითარების პრობლემები,კკ სადაც მთავარ

მომხსენებლებად მოწვეული იყვნენ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები და მეწარმეები: ლეგენდარული Teekampagne-ის დამფუძნებელი პროფესორი გიუნტერ ფალტინი და სოციალური მეწარმეობის სააგენტოს „იქ ცონსულტ"დის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი პროფესორი ნორბერტ კუნცი (2014 წლის 27 მაისი);

2.საინფორმაციო ლექცია თემაზე: „გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) წამახალისებელი პროგრამები გერმანიაში უმაღლესი განათლების მისაღებად და სამეცნიერო კვლევების განსახორციელებლად," სადაც მთავარი მომხსენებელი იყო -ის კავკასიის განყოფილების ხელმძღვანელი ქალბატონი მონიკა პრშიბიში (2009 წლის 26 ნოემბერი, 2011 წლის 29 სექტემბერი და 2014 წლის 28 მაისი); მოხსენებებში განსაკუთრებული ხაზგასმა გაკეთდა იმ დეტალებზე, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებლად მოუტანს წარმატებას კონკურსის მონაწილეებს. საინფორმაციო ლექცია გამიზნული იყო სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და დაინტერესებული პირებისათვის. ღონისძიებებას დაესწრო DAAD-ის თბილისის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი ქალბატონი ელიზაბეტ ვენორი;

3.საერთაშორისო სამუშაო სემინარი თემაზე: „კრიზისების პრევენციისა და კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტის შესაძლებლობების გამომუშავებაკკ (I ეტაპი - 2011 წლის 26-30 სექტემბერი; II ეტაპი - 2012 წლის 24 თებერვალი-2 მარტი);

4.ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორის, მსოფლიო ბაზრის ლიდერი კომპანიის, ლეგენდარული "Teekampagne"-ს დამფუძნებლისა და ხელმძღვანელის გიუნტერ ფალტინის წიგნის „Kopf schlaegt Kapital" (გონება ამარცხებს კაპიტალს) თარგმნა, სამეცნიერო რედაქტირება, გამოცემა და პრეზენტაცია (2014 წლის 27 მაისი);

5.ინსტიტუტის ფარგლებში ეკონომიკური პოლიტიკის მოდულის მაგისტრანტების პროფესიული პრაქტიკის მომზადება და ჩატარება ბერლინის ტექნიკურ უნივერსიტეტში ამავე უნივერსიტეტის პროფესორის, ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულდგერმანული ინსტიტუტის თანადირექტორის ვოლფგანგ ვენგის ხელმძღვანელობით (2014 წლის 1-31 მაისი);

6.საერთაშორისო სამუშაო სემინარის „კონფლიქტების მოგვარების პოტენციალის გაზრდა და კრიზისული სიტუაციების მედიაცია და ლიდერობა" - მომზადება და ჩატარება პოტსდამის უნივერსიტეტის პროფესორ ქალბატონ ანგელა მიკლეისთან ერთად (2014 წლის 6-10 ოქტომბერი). გერმანელი პროფესორის ანგელა მიკლეის საერთო ხელმძღვანელობის ქვეშ შეიკრიბა საერთაშორისო ექსპერტთა და გამოცდილი კონფლიქტოლოგების ინტერდისციპლინარული გუნდი. პროექტის მონაწილეთა შორის იყვნენ საქართველოს, გერმანიის, იტალიის, ისრაელის, სომხეთის და მოლდოვას მოქალაქეები. ისინი წარმოადგენდნენ, როგორც სხვადასხვა პროფესიებს, ასევე სხვადასხვა საზოგადოებრივ სფეროებს. მათ შორის იყვნენ მეცნიერებისა და უნივერსიტეტების, არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძო ბიზნესისა და სახელმწიფო სექტორის წარმომადგენლები. მონაწილეებმა მიიღეს კონფლიქტების ანალიზისა და მართვის, მედიაციისა და გარიგებათა თეორიული და პრაქტიკული კომპეტენციები. მათ შეისწავლეს სხვადასხვა კონფლიქტური სიტუაციები, გააანალიზეს რეალური კონფლიქტები საკუთარი გამოცდილებიდან და ერთობლივად შეიმუშავეს კონფლიქტების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები;

7.ინსიტუტის წევრები საანაგარიშო წელს აქტიურად მონაწილეობდნენ 2014 წლის საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებსა და კონფერენციებში და მათი ნაშრომები გამოქვეყნდა პრესტიჟულ საერთაშორისო ჟურნალებში.

8.ინსტიტუტის ფარგლებში ეკონომიკური პოლიტიკის მოდულის მაგისტრანტებს პროფესორმა ვოლფგანგ ვენგმა წაუკითხა ლექციების კურსი თემებზე: „მონეტარული პოლიტიკა ევროზონაშიკკ და „ევროკავშირის აგრარული პოლიტიკის ინსტიტუციური პრობლემებიკკ (2015 წლის 22დ29 აპრილი);

9.ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორის, მსოფლიო ბაზრის ლიდერი კომპანიის, ლეგენდარული "Teekampagne"-ს დამფუძნებლისა და ხელმძღვანელის გიუნტერ ფალტინის წიგნის „Kopf schlaegt Kapital“ (გონება ამარცხებს კაპიტალს) თარგმანის მეორე გამოცემის პრეზენტაცია (2015 წლის 30 ივნისი);

10. ინსტიტუტის ფარგლებში ეკონომიკური პოლიტიკის მოდულის მაგისტრანტების პროფესიული პრაქტიკის მომზადება და ჩატარება ბერლინის ტექნიკურ უნივერსიტეტში ამავე უნივერსიტეტის პროფესორის, ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულდგერმანული ინსტიტუტის თანადირექტორის ვოლფგანგ ვენგის ხელმძღვანელობით (2015 წლის 1-31 მაისი);

11. ინსიტუტის წევრები საანაგარიშო წელს აქტიურად მონაწილეობდნენ 2015 წლის საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებსა და კონფერენციებში და მათი ნაშრომები გამოქვეყნდა პრესტიჟულ საერთაშორისო ჟურნალებში.

ინოვაციური მენეჯმენტის ცენტრის 2015 წლის ანგარიში

ინოვაცური მენეჯმენტის ცენტრი დაარსდა 2007 წელს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით (ოქმი №2).

ცენტრის მიზანია მეცნიერების კომერციალიზაციისთვის ხელშეწყობა, რაც, თავის მხრივ, ითვალისწინებს: ვენჩურული ინვესტიციების კვლევას; კონსულტაციებს, როგორც ტექნოლოგიების ტრანსფერის გადაცემის, ისე პატენტების, ლიცენზიებისა და საავტორო უფლებების საკითხებში; მეცნიერების განვითარებისათვის ხელშეწყობას; მცირე / საშუალო ინოვაციური ბიზნესის განვითარებას; პერსპექტიულ ინოვაციურ პროექტებზე მონაცემთა ბანკის ჩამოყალიბებას; უნივერსიტეტის ინტელექტუალური პოტენციალის პრაქტიკულ ჩართვას კვლევების კომერციალიზაციის პროცესში.

ამ მიზნის მისაღწევად ცენტრში მიმდინარეობს სისტემატური მუშაობა, რაც, შესაბამისად, ასახულია იდეების გენერირების პროცესებზე: მიმდინარე კვლევებზე და გამართულ სამეცნიერო კონფერენციებზე / სემინარებზე.

„ინოვაციური მენეჯმენტის ცენტრმა“ საუნივერსიტეტთაშორისო რესპუბლიკური მასშტაბის ორი სამეცნიერო კონფერენცია გამართა აკადემიური პერსონალისთვის, სამი რესპუბლიკური მასშტაბის სამეცნიერო კონფერენცია სამივე საფეხურის სტუდენტებისთვის, და სამი საუნივერსიტეტო სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამივე საფეხურის სტუდენტებისთვის.

ცენტრის მიერ გამოცემულია სამეცნიერო და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო შრომების 2 კრებული (ნაბეჭდი) და სტუდენტების სამეცნიერო შრომების 2 კრებული (ციფრული).

ინოვაციური მენეჯმენტის ცენტრი ჩართულია საგრანტო კონკურსებში – მონაწილეობა აქვს მიღებული საქართველოს სამეცნიერო ტექნოლოგიების განვითარების ფონდის და შ.რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსებში.

ინოვაციური მენეჯმენტის ცენტრი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებთან ერთად, კვლევებისა და განვითარების ინსტიტუტისა (ქ.სანდომიერზი, პოლონეთი) და ლუბლინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის (პოლონეთი) მონაწილეობით

ჩართულია საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში – კერძოდ კი, პროექტის „ევროპული გამოცდილება საქართველოს“ ფარგლებში ჩატარდა ორი სამეცნიერო სემინარი სტუ-ში (www.gtu.ge/News/4463/).

ცენტრში ჩატარებულია კვლევები მეცნიერების კომერციალიზაციის 2 მოდელზე, რომლის შედეგებიც ასახულია სამეცნიერო პუბლიკაციის სახით თსუ ჟურნალში „ეკონომიკა და ბიზნესი“ №2, 2012.

1. გოლდსმითის მოდელი, რომელიც წამყვანი ტექნოლოგიების კომერციალიზაციის სტრატეგიებისა და ღონისძიებების ერთგვარი საგზაო რუკაა. ეს მოდელი, თავის მხრივ, იყოფა თორმეტ ღონისძიებად (რაშიც აღწერილია წარმატების მიღწევის პრობლემები). თითოეულ მათგანს გააჩნია ტექნიკური ეტაპი, ბაზრის ეტაპი და ბიზნეს-ეტაპი.

ეს მოდელი სხვადასხვა სტადიაზე - საინფორმაციო და ტექნიკურ მოთხოვნებზე საჭიროებების განსაზღვრა, პროექტის განვითარების ღირებულების დადგენა და ფინანსური მოთხოვნების პროგნოზირება - პროცესის შეფასების საფუძველია. აქედან გამომდინარეობს საკმაოდ სპეციფიკური, მოწესრიგებული პროცესი (სქემა 1).

სქემა 1. გოლდსმითის მოდელი

	კონცეპტუალური სტადია	განვითარების სტადია	ბაზარზე გასვლის სტადია	ბაზრის გაფართოების სტადია
ბაზრის ეტაპი	პირველადი ბაზარი და შეფასების შესაძლებლობები. ძირითადი მომხმარებლის იდენტიფიცირება და შეფასება.	მარკეტინგული გეგმის შემუშავება სეგმენტაციის გათვალისწინებით, მარკეტინგული არხების და მომხმარებლების ურთიერთკავშირის სტრატეგიები.	გეგმის პოპულარიზაციის განხორციელება. ბაზრის კონკურენტული დაზვერვა.	მიზნობრივი ვერტიკალური და შერეული ბაზრები და ბაზარზე შეღწევის შესაძლებლობა. მიწოდების პარტნიორული არხების და (მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის სისტემის (ჩღ) გაფართოება.
ბიზნეს ეტაპი	ფინანსური, ფიზიკური და ადამიანური რესურსების (ღ) მოთხოვნების განსაზღვრა.	უსაფრთხოება მოითხოვს დაფინანსებას. მენეჯმენტის გუნდის, ფინანსური და ბიზნეს-გეგმის შექმნა.	მართვა დაფინანსების, უნარებისა და წარმოების მოთხოვნების შესაბამისად. სტრატეგიული და ბიზნესგეგმების დარეგულირება საბაზრო შესაძლებლობებზე რეაგირებისათვის.	დივერსიფიცირება იმ შიგა და გარე უნარების, რომელიც აუცილებელია ინვესტიციებიდან შემოსავლების მიზნის მისაღწევად. საერთაშორისო პარტნიორობის დამყარება.
ტექნიკური ეტაპი	საექსპლუატაციო მოთხოვნების და თავისებურებების განსაზღვრა. ტექნოლოგიების კონკურენტუნარიანობის დაზვერვა - საპატენტო ძიება.	განვითარების გადაადგილება ტესტირების და წარმოების ეტაპში. ნედლეულის წყარო და ხარისხის უზრუნველყოფის სიტემის დადგენა	წარმოების საშუალებების ჩამოყალიბება და პროდუქციის ტექნიკური უზრუნველყოფა.	პროდუქტის შემუშავების დამატებითი ციკლის განსაზღვრა. პროდუქტის კონკურენტული ფუნქციონირების მუდმივი შეფასება და განვითარებადი ტექნოლოგიების მიღება

წყარო: ოკლაჰომას ტექნოლოგიების კომერციალიზაციის ცენტრის მონაცემები.


ეს მოდელი, შემუშავებული იქნა ახალი პროდუქტების დასანერგად და იმ ახალი კომპანიების შესაქმნელად, რომელიც ყველაზე ხშირად ასახავს ახალწარმოქმნილ და მოწინავე ტექნოლოგიებს. სწორედ ეს ახალწარმოქმნილი, მოწინავე ტექნოლოგიები წარმოადგენს იმ საერთო რაოდენობის ძალიან უმნიშვნელო პროცენტს, რომელშიც ინოვაციების უმეტესობა დაკავშირებულია ტექნოლოგიების მიღებასა და ადაპტირებასთან.

ამ მოდელის უარყოფითი მხარეა მისი მოუქნელობა უკუკავშირისთვის, მაგალითად, ტექნოლოგიების დანერგვის შემთხვევაში აუცილებელი არ არის ყველა სტადიის გავლა, მაგრამ ეს მოდელი არ იძლევა თანმიმდევრობის შეცვლის შესაძლებლობას პროდუქტის

საექსპლუატაციო მოთხოვნებისა და განვითარების სტადიის შესაბამისად. ამიტომ, უფრო მისაღებია ფუნქციონალური მოდელი.

2. ანდრეევ-სირკინის მოდელი. განხილული მოდელის მსგავსად, ეს მოდელიც კომერციალიზაციის პროცესში თანმიმდევრობის მაჩვენებელია. თუმცა ორი საწყისი ეტაპისათვის - იდეათა შესაბამისი გენერირებისა (სამეცნიერო კვლევები და განვითარება, კონფერენციები და ა.შ.) და კომერციალიზაციისათვის, ინვესტიციები (ნაღდი თანხების აკუმულირება) პროექტში არა საკმარისია1. ამ მოდელში, ტრანსფორმაციის პერიოდს პირველ ორ ფაზას შორის, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რენტაბელურობისა და წარმატებული მარკეტინგის თვალსაზრისით (სქემა-2).

სქემა-2. ანდრეევ-სირკინის მოდელი



მას შემდეგ რაც პროდუქტი გავა ბაზარზე, დროის სიდიდე შეესაბამება იმ კონკრეტულ დროს, რომლიც აუცილებელია პროდუქტის რენტაბელობის ზღვარის მისაღწევად. პროდუქტი (ან მომსახურება) რაც უფრო ადრე მიაღწევს წარმოების ოპტიმალურ მასშტაბებს, მით უფრო სწრაფად მოიტანს მოგებას და სწორედ ბაზრის რეაქცია იქნება ის, რაც კომერციულ წარმატებას ან წარუმატებლობას განსაზღვრავს.

მესამე ეტაპზე (რეალიზაცია) აქცენტი კეთდება ინვესტიციებიდან შემოსავლებზე. ეს შემოსავლები ყოველთვის მიღწევადი არ არის, რამდენადაც დანახარჯებმა ტექნიკურ მხარდაჭერაზე, რეკლამასა და განვითარებაზე შესაძლოა გადააჭარბოს ინვესტიციებიდან ამონაგებს. მიუხედავად ამისა, მსგავსი სიტუაცია დასაშვებია, რამდენადაც ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლების გამოყენებით შეიძლება მიღებულ იქნეს არაპირდაპირი მოგება პატენტებზე, როიალტის დახმარებით, საავტორო უფლებებით და ა.შ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კომერციული მოგება შესაძლოა შეფასებულ იქნეს აღნიშნული ტიპის არაპირდაპირი მოგებითაც.

[1] https://share.sandia.gov/news/resources/releases/2008/CLP.html

კომერციალიზაციის პროცესის რაციონალური გამოყენების მიზნით პირველ რიგში აუცილებელია ინოვაციების კომერციალიზაციას შევხედოთ სახელმწიფო და კერძო სექტორის თვალით (მათ შორის, როგორც უნივერსიტეტების, ისე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა თუ ცენტრების გათვალისწინებით). კომერციალიზაცია განეკუთვნება იმ ღონისძიებათა სერიას, რომელსაც საბაზრო მოთხოვნების შესაბამისად ფირმები ახორციელებენ ცოდნის და ტექნოლოგიების გარდასაქმნელად ახალ პროდუქტებად, პროცესებად ან მომსახურებად. კომერციალიზაციის პროცესისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მაღალკვალიფიციურ კადრებს (მეცნიერებს, ინჟინრებს, მენეჯერებს და ა.შ.). აქვე უნდა აღვნიშნოთ ინოვაციების მარკეტინგზე, რომელიც მნიშვნელოვანი ცვლილებების გათვალისწინებით მარკეტინგის ახალი მეთოდის დანერგვას წარმოადგენს დიზაინში ან შეფუთვაში, პროდუქტის განთავსებაში ან ფასში. ინოვაციების მარკეტინგი მიმართულია კლიენტების უკეთ დაკმაყოფილებისაკენ, ახალი ბაზრების აღმოჩენაზე ან უკვე არსებულ ბაზარზე პროდუქტის ხელახლა პოზიციონირებაზე, ფირმის მოცულობის გაზრდის მიზნით. ინოვაციების წამქეზებელ მექანიზმს პირველ რიგში კონკურენცია წარმოადგენს. მოძველებული ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენების პროცესში მისი მწარმოებლები და მომხმარებლები დიფერენცირებულ ზარალს განიცდიან, რის გამოც იძულებულნი ხდებიან – ინოვაციების ათვისების მეშვეობით ეძებონ საკუთარი საწარმოო დანახარჯების შემცირების შესაძლებლობები. იმ სამეწარმეო ფირმებს, რომლებიც ეფექტურ ინოვაციებს აითვისებენ, შესაძლებლობა ეძლევათ შეამცირონ საწარმოო ხარჯები და შესაბამისად, საქონლის (პროდუქტის, მომსახურების) რეალიზების ფასიც. ინოვაციური ბიზნესის არსს მუდმივი ექსპერიმენტი წარმოადგენს. რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია გეგმები, კვლევები, რესურსების აზრიანი განაწილება, მაგრამ ბაზრის შესწავლას კიდევ განაპირობებს რამოდენიმე გარემოება: ბაზრის გლობალიზაცია, კონკურენციის გამწვავება, გარემოში ცვლილებების ზვავისებური ზრდა და მომხმარებლის დომინირება ბაზარზე. ინოვაციური იდეის რეალიზებასთან დაკავშირებით, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს რეალური რისკების და რეალური მოგების მოლოდინებთან დაკავშირებულ ორ მნიშვნელოვან საკითხზე: 1) პროექტიდან მიღებული მოგება საგრძნობლად მეტი უნდა იყოს, ვიდრე მისი რეალიზების ხარჯები და 2) პროექტთან დაკავშირებული რისკი დასაშვებ ფარდობაში უნდა იყოს მისი რეალიზებით მიღებული უკუგების სავარაუდო შეფასებასთან. ძალიან პერსპექტიულ იდეასაც კი „თავისთავად“ არ მოაქვს ნოვატორი საწარმოსთვის წარმატება ბაზარზე. მან ინოვაციური საქმიანობის მიზანს რომ მიაღწიოს, უნდა მიიღოს მონოპოლიური ზემოგება, ასევე, სამეწარმეო ფირმას სჭირდება შესაბამისი პირობების დაცვა და გარკვეული მოთხოვნების დაკმაყოფილებაც. ამ სიტუაციებში, სათანადო პროცესის საკმარისი მოქნილობის გამო, უკეთესად მიჩნეულია მცირე ინოვაციური ფირმები. პროდუქტის კონკურენტულ წარმატებას დღევანდელ ბაზრებზე, ძირითადად, სამეწარმეო საქმიანობის ისეთი მახასიათებლები განსაზღვრავს, როგორიცაა ძველი პროდუქციის ახლით ჩანაცვლების სისწრაფე, ნაწარმის ხარისხის და საიმედოობის

დონე, ფასი და ა.შ. საერთო ეკონომიკური მაჩვენებლების სანაცვლოდ, მიღწევები ტექნოლოგიურ განვითარებასა და ინოვაციების მენეჯმენტში დღეს არის ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის და ეროვნული სამრეწველო პოლიტიკის ეფექტიანობის საზომი. ამასთან, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს ქვეყანა განვითარებას იწყებს საკუთარი, თუ სხვებისგან გადმოღებული ტექნოლოგიური მიღწევების საფუძველზე. მთავარია, მან მოახერხოს ზემოთ ხსენებული მახასიათებლების სრულყოფა ინოვაციური პროცესების სათანადო წარმართვის მეშვეობით. ამ მახასიათებლებით წინსვლის პრაქტიკულად ამოუწურავი რეზერვების არსებობაზე არაერთი ქვეყნის სწრაფი და შედეგიანი ინდუსტრიული განვითარების გამოცდილება მიუთითებს (იაპონია, სინგაპური და ა.შ.). საერთაშორისო კონკურენტუნარიანობისთვის არსებობს ოთხი მთავარი პირობა: 1) ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა, 2) ეროვნული ორიენტირები, 3) სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურა, 4) ინდუსტრიის მწარმოებლობა. საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით შეიძლება პარადოქსულად ჟღერდეს, მაგრამ, ზოგჯერ, ქვეყნები, რომელთაც საკუთარი პოტენციალის განვითარება „სუფთა ფურცლიდან“ უწევთ, ამ პირობების შექმნის თვალსაზრისით, უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ხოლმე (და ამ მხრივ საქართველოს დიდი პერსპექტივა გააჩნია), ვიდრე ინდუსტრიალიზებული სახელმწიფოები, რომელთაც ამისთვის უკვე ჩამოყალიბებული ვითარების შეცვლა უწევთ. მაღალტექნოლოგიური და მეცნიერებატევადი დარგების განვითარების ხელშეწყობისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში ცოდნის აკუმულირების და შეთვისების უნარის არსებობას, რისი დეფიციტიც საქართველოში ნამდვილად არ გაგვაჩნია. გასათვალისწინებელი ფაქტორია, რომ საქართველო დღეს მწვავედ განიცდის მეცნიერების და ტექნიკის სფეროში იმ სინდრომის უკმარისობას, რომელმაც უკანასკნელ წლებში სერიოზული დარტყმა მიაყენა ევროპას, რაც „ევროპის პარადოქსითაა“ ცნობილი.

ამჟამად მიმდინარეობს კვლევითი პროცესი კიდევ 2 მოდელზე.

„ინოვაციური მენეჯმენტის ცენტრის“ მიერ ჩატარებული ღონისძიებები:

1	აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისთვის I საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „მსოფლიო ფინანსური კრიზისი და საქართველო“, თსუ, 6 ივნისი, 2009.
2	I სტუდენტური რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია „საქართველოს ეკონომიკური განვითარების ტენდენციები“, თსუ, 13 ივნისი, 2009 წელი.
3	აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისთვის II საუნივერსიტეტთაშორისო

	სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „მსოფლიო ფინანსური კრიზისი და საქართველო“. თსუ, 10 დეკემბერი, 2009.
4	II სტუდენტური რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია „საქართველოს ეკონომიკური განვითარების ტენდენციები“. თსუ, 12 დეკემბერი, 2009.
5	III სტუდენტური რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია „საქართველოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები“. თსუ, 7 ივნისი, 2012 წელი.
6	I სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენცია „საქართველოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები“. თსუ, 2 დეკემბერი, 2010.
7	II სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენცია „საქართველოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები“. თსუ, 16 დეკემბერი, 2011 წელი.
8	III სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენცია „საქართველოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები“. თსუ, 2012 წელი.
9	პროექტის „ევროპული გამოცდილება საქართველოსთვის“ ფარგლებში ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო სემინარები: ბიზნესის განვითარების გზები პოლონეთის მაგალითზე (სტუ, 4 ივლისი, 2015 წელი); პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მეცნიერების კომერციალიზაციაში, როგორც გლობალიზაციის პროცესის განვითარების ფაქტორი (სტუ, 4 ივლისი, 2015 წელი).
10	სასწავლო პროგრამა დოქტორანტებისთვის საგანში „მეცნიერების კომერციალიზაცია“.
11	სასწავლო ლიტერატურა (რიდერი) დოქტორანტებისთვის საგანში „მეცნიერების კომერციალიზაცია“.
12	ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მოდული „ინოვაციური საქმიანობის ორგანიზაცია და მართვა / ინოვაციების მენეჯმენტი)”.

მარკეტინგული კვლევის ცენტრის 2015 წლის ანგარიში

მარკეტინგული კვლევის ცენტრი, თავისი მიზნებიდან გამომდინარე, 2015 წელსაც აგრძელებდა უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის მარკეტინგის თეორიის, მეთოდოლოგიისა და პრაქტიკის საკითხების გაცნობას. ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობიდან უმნიშვნელოვანესია შემდეგი:

1. ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის მარკეტინგის მოდულის სტუდენტების პრაქტიკის გავლა მარკეტინგული კვლევის ცენტრში;
2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტების მიერ მარკეტინგული კვლევის ჩატარება. საკვლევ თემას წარმოადგენდა უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მოტივაციის განმსაზღვრელი ფაქტორების გამოვლენა, მათი შეხედულებებისა და

უპირატესობების, აგრეთვე სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობაში ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორების დადგენა. კვლევაში მონაწილეობდა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 12 სტუდენტი. ჩატარდა ფართომასშტაბიანი კვლევა, რომელიც მოიცავდა უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის პედაგოგიურ და სამეცნიერო პერსონალს. მიღებული შედეგები დამუშავდა სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით.

3. მარკეტინგული კვლევის ცენტრში გაერთიანებული სტუდენტები ჩართულნი იყვნენ პროფესორ ნ.თოდუას ხელმძღვანელობით ჩატარებულ კვლევაში, რომელიც ეხებოდა საქართველოში სოციალური მედიის განვითარების მარკეტინგულ ასპექტებს. კვლევის შედეგები პროფესორმა ნ. თოდუამ და ასოცირებულმა პროფესორმა ჩ. ჯაშმა წარადგინეს მარკეტინგისა და ინოვაციების მე-17 საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდა იტალიაში 2015 წლის აპრილში. კვლევის შედეგები გამოქვეყნებულია ჟურნალში: „International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic and Management Engineering“ Vol:9, No:4. http://www.waset.org/publications/10001054 . სტატიაში მითითებულია, რომ კვლევა თსუ მარკეტინგული ცენტრის ხელშეწყობით ჩატარდა.

მიგრაციის კვლევის ცენტრის 2015 წლის ანგარიში

მიგრაციის კვლევის ცენტრმა მონაწილეობა მიიღო დიდ საერთაშორისო ფორუმში, რომელიც გაიმართა ბუდაპეშტში და განიხილავდა მიგრაციის აღრიცხვის სრულყოფის პრობლემებს. ცენტრის მიერ მომზადებული მოხსენებით “მიგრაციის მონაცემთა მენეჯმენტი საქართველოში” გამოვიდა ცენტრის საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების გამგე ასოცირებული პროფესორი თამაზ ზუბიაშვილი. მოხსენების დასკვნები მთლიანად აისახა პანელური შეხვედრის რეკომედაციებში.

მიგრაციის კვლევის ცენტრის თანამშრომლებმა - მ. ტუხაშვილმა, თ.ზუბიაშვილმა, მ. შელიამ მონაწილეობა მიიღეს ბარსელონაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში.

მიგრაციის კვლევის ცენტრის მკვლევართა ჯგუფმა (მ. ტუხაშვილი, მ.ცარციძე, მ. ლობჟანიძე, მ. შელია) მოხსენებები გააკეთეს პლენარულ სხდომაზე თსუ-ში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში, რომლიც ეხებოდა მოსახლეობის მიგრაციისა და იდენტობის საკითხს.

შრომის ბაზრისა და ტერიტორიული მობილობის ირგვლივ ქვეყანაში გამართულ სხვადასხვა კონფერენციებში მონაწილეობა მიიღო მიგრაციის ცენტრის ყველა თანამშრომელმა.

მიგრაციის ცენტრის თანამშრომელი, მოწვეული ლექტორი ნათია ჭელიძე უნივერსიტეტის სახელითა და ფაკულტეტის ხელმძღვანელობის უშუალო რეკომენდაციით მონაწილეობდა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ საერთაშორისო საგრანტო კონკურსში ”მიგრაციის ეკონომიკური და სოციალური სარგებლის ხელშეწყობა სამხრეთ კავკასიაში”, სადაც გაიმარჯვა და მისი ხელმძღვანელობით შესრულდა აღნიშნული პროექტი. ასევე მნიშვნელოვან საგრანტო პროექტებში მონაწილეობდა უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ც. ანთაძე.

2015 წელს გამოსაცემად მომზადდა სამეცნიერო სერია “მიგრაცია” მე-7 კრებული, სადაც დაიბეჭდება უკრაინისა და უნგრეთის ყველაზე ავტორიტეტული სპეციალისტების, პროფესორ ს. მალინოვსკაიას და პროფესორ ი. მოლოდიკოვას სტატიები.

მიგრაციის კვლევის ცენტრი მუშაობს ბელორუს კოლეგებთან ერთად “სტუდენტთა ემიგრაციული პოტენციალის კვლევაზე”. ჩატარდა მნიშვნელოვანი სოციოლოგიური გამოკვლევა, გამოიკითხა უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის 1200 სტუდენტი. მოხდა მონაცემთა კომპიუტერული დამუშავება. მიმდინარეობს მიღებულ შედეგთა ანალიზი.

მიგრაციის ცენტრის თანამშრომლები - მ. შელია, მ.ლობჟანიძე, ნ. ჭელიძე, თ. ზუბიაშვილი, ც. ანთაძე საქართველოს შრომის ბაზრისა და მიგრაციის საკითხებზე გამოვიდნენ ტელევიზიით და მონაწილეობა მიიღეს საქართველოს რადიოს გადაცემებში.

სტატისტიკის საკონსულტაციო და კვლევითი ლაბორატორიის 2015 წლის ანგარიში

1. 2015 წლის ოქტომბერში ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორიო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებულის დასაბეჭდად მომზადება;
2. ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სავალდებულო საგნებში შუალედური და ფინალური გამოცდების შედეგების დამუშავება და ანალიზი SPSS-ის გამოყენებით. 2015 წლის თებერვალში (ფინალური გამოცდები), 2015 წლის მაისში (შუალედური გამოცდები) და 2015 წლის ივლისში (ფინალური გამოცდები);
3. სხვა მოდულების მაგისტრანტებისათვის სამაგისტრო ნაშრომების მოსამზადებლად საჭირო სტატისტიკური მონაცემების მოპოვებაში, დამუშავებასა და ანალიზში კონსულტაციების გაწევა (2015 წლის მარტი დ ივნისი). კონსულტაციების შესახებ ინფორმაციის რეგისტრაცია ხდება როგორც ელექტრონულად, ისე დოკუმენტალურად სპეციალურ ჟურნალში.
4. დოქტორანტებისათვის სადოქტორო დისერტაციის მოსამზადებლად საჭირო სტატისტიკური მონაცემების მოპოვებაში, დამუშავებასა და ანალიზში კონსულტაციების გაწევა.
5. ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის მიზნობრივი კვლევითი პროექტის „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა მოთხოვნა-მიწოდების სტატისტიკური კვლევა” ფარგლებში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა კითხვარის შედგენა და კათედრის სხდომაზე დასამტკიცებლად წარდგენა.
6. კათედრის მიზნობრივი კვლევითი პროექტის ფარგლებში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა მოთხოვნაზე კითხვარის შედგენა.
7. კათედრის მიზნობრივი კვლევითი პროექტის ფარგლებში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა მიწოდების შევსებული კითხვარების დამუშავება SPSS-ის გამოყენებით.
8. კათედრის მიზნობრივი კვლევითი პროექტის ფარგლებში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა მოთხოვნაზე შევსებული კითხვარების დამუშავება SPSS-ის გამოყენებით.
9. კათედრის მიზნობრივი კვლევითი პროექტის ფარგლებში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა მოთხოვნა-მიწოდების ელექტრონული ბაზის ფორმირება.
10. სტატისტიკის საკონსულტაციო და კვლევითი ლაბორატორიის ხელმძღვანელმა,

ასოცირებულმა პროფესორმა მარინე მინდორაშვილმა ინგლისურიდან ქართულად თარგმნა უახლესი სახელმძღვანელო ,,Understanding National Accounts: Second Edition Lequiller, F. and Blades, D." (OECD Publication, 2014 წ.).

11. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის მიერ 2015 წლის 11 ოქტომბერს ორგანიზებული სტატისტიკური ვიქტორინასთვის კითხვარის მომზადება.

სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრ "იდეას" 2015 წლის ანგარიში

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური ცენტრი „იდეა" შეიქმნა 2000 წლის 8 თებერვალს. დღეისათვის ცენტრის პერსონალურ შემადგენლობაშია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის 40-ზე მეტი სტუდენტი. ცენტრის წევრები აგრეთვე არიან საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის, სოხუმის უნივერსიტეტისა და ჩიკაკოს ლუისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (აშშ) სტუდენტები.

ცენტრთან არსებულ მრჩეველთა და მზრუნველთა საბჭოებში გაერთიანებული არიან ქართველი და უცხოელი მეცნიერები, სპეციალისტები და ბიზნესმენები, რომლებიც დიდ დახმარებას უწევენ ცენტრს.

ცენტრის გეგმის მიხედვით, 2015 კალენდარულ წელს მიმდინარეობდა სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-სატრენინგო სამუშაოები და შესაბამისი პროექტების/ღონისძიებების განხორციელება შემდეგი ძირითადი პროგრამების საფუძველზე:

1. „შეიმეცნე და ააღორძინე საქართველო" - ხორციელდება ცენტრთან არსებული ეროვნული ეკონომიკის კვლევის ლაბორატორიაში;
2. „ისრაელის ეკონომიკა და ბიზნესი" - ხორციელდება ცენტრთან არსებული ისრაელის ეკონომიკის კვლევის ლაბორატორიაში;
3. „აშშ-ს და ბრიტანეთის ეკონომიკა და ბიზნესი" - ხორციელდება ცენტრთან არსებული ამერიკული და ბრიტანული ეკონომიკის კვლევის ლაბორატორიაში.

1. პროგრამული პროექტი - II საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: აგრობიზნესის ორგანიზაცია და მართვა"

(2015 წლის 20-21 სექტემბერი, სიღნაღი)

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა პროექტები.

2015 წლის 20-21 სექტემბერს სიღნაღში ჩატარდა II საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: აგრობიზნესის ორგანიზაცია და მართვა".

კონფერენცია მოეწყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოში ისრაელის საელჩოს შორის თანამშრომლობის ფარგლებში.

კონფერენციის ინიციატორი და ერთ-ერთი ორგანიზატორია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“.

სიღნაღის კონფერენციის ორგანიზატორები არიან: თსუ-ს ადმინისტრაცია; ისრაელის საელჩო საქართველოში; სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობა; თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი; თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“; აუდიტორული ფირმა „ბაკაშვილი და კომპანია“; ისრაელის კომპანია „ნეტაფიმ-საქართველო“.

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტში წარმოდგენილი არიან: აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა - თსუ-ს რექტორი; იუვალ ფუქსი - ისრაელის ელჩი საქართველოში; დავით ჯანიკაშვილი - სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებელი; თეიმურაზ ბერიძე - თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი; დავით ნარმანია - ქ. თბილისის მერი, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი; გიორგი შიხაშვილი - თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრ „იდეა“-ს დირექტორი, ასოც. პროფესორი; აჰარონ გაგულაშვილი - ისრაელის კომპანია „ნეტაფიმ-საქართველო“-ს დირექტორი; ნიკოლოზ ბაკაშვილი - აუდიტორული ფირმა „ბაკაშვილი და კომპანია“-ს დირექტორი და სხვ.

კონფერენცია ჩატარდა სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და თსუ-ს შორის მიმდინარე წლის 22 იანვარს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულის, სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებლის, დავით ჯანიკაშვილის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა სტუდენტთა ინიციატივისადმი.

სიღნაღის კონფერენცია მოეწყო, აგრეთვე, თსუ-სა და ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველო“-ს (დირექტორი - აჰარონ გაგულაშვილი) შორის მიმდინარე წლის 9 ივლისს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში.

კონფერენციის მომზადებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, ასევე, აუდიტორული ფირმა „ბაკაშვილი და კომპანია“-ს დირექტორმა ნიკოლოზ ბაკაშვილმა.

კონფერენციაზე მოხსენებები წარმოადგინეს ისრაელის, აშშ-ის და უკრაინის უნივერსიტეტების პროფესორებმა და სტუდენტებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა და ბიზნესმენებმა.

21 სექტემბერს ჩატარდა კონფერენციის სამეცნიერო ნაწილი (პლენარული სხდომა და სამეცნიერო მოხსენებები), ხოლო 22 სექტემბერს - კონფერენციის პრაქტიკული ნაწილი - მონაწილეობა რთველში.

დაიბეჭდა შრომების კრებული, რომელშიც შესულია კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები.

2. ცენტრის თანამშრომლობა ისრაელის საელჩოსთან საქართველოში

2013 წლიდან დღემდე ცენტრი „იდეა“ მჭიდროდ თანამშრომლობს ისრაელის საელჩოსთან საქართველოში, რომელიც ყოველმხრივ დახმარებას უწევს ცენტრს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ელჩის, ბატონ იუვალ ფუქსის სისტემატური და მნიშვნელოვანი მხარდაჭერა სტუდენტთა საქმიანობისადმი.

სწორედ ამ თანამშრომლობის ფარლებში 2015 წლის 20-21 სექტემბერს სიღნაღში ჩატარდა II საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: აგრობიზნესის ორგანიზაცია და მართვა“. ხოლო 2014 წლის 14-17 ივლისს მესტიაში - I საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: მწვანე ეკონომიკის მართვა“.

3. VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა - 2015“

2015 წლის 5-6 სექტემბერს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა - 2015“ მიეძღვნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 80 წლისთავს.

კონფერენციის ერთ-ერთი ორგანიზატორი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტთან ერთად იყო სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“.

თსუ-ში დასტამბულ სამეცნიერო კრებულში აისახა გერმანიიდან (იენის უნივერსიტეტი), ლიტვიდან (გამოყენებითი მეცნიერების ალითაუს კოლეგიის უნივერსიტეტი), უკრაინიდან (უჟგოროდის ეროვნული უნივერსიტეტი) და ბელარუსიდან (ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტი), აგრეთვე ცენტრ „იდეა“-დან წარმოდგენილი სტუდენტური სამეცნიერო ნაშრომები.

4. ცენტრ „იდეა“-ს თანამშრომლობა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან

ცენტრის ინიციატივით, ორგანიზებით და მონაწილეობით 2015 წლის 17 ივლისს ყაზბეგში გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი თსუ-სა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობას შორის. უნივერსიტეტის სახელით მემორანდუმს ხელი მოაწერა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ.

მემორანდუმის მიხედვით მხარეები მიზნად ისახავენ, ხელი შეუწყონ საქართველოში სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებსა და ადგილობრივი მართვის ორგანოებს შორის საქმიანი ურთიერთობების გაღრმავებას. თანამშრომლობა ითვალისწინებს ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი, საგანმანათლებლო, ეკონომიკური, მმართველობითი, საექსპერტო პროექტებისა და პროგრამების განხორციელებას, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების და სიმპოზიუმების ჩატარებას, კადრების მოსამზადებელი, სატრენინგო პროგრამებისა და ლექცია სემინარების ჩატარებას, როგორც ყაზბეგის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისათვის, ასევე ყველა დაინტერესებული მხარეების/ჯგუფების/ინდივიდების, მათ შორის ბიზნესსუბექტების და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, სტუდენტების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და პროფესიული სასწავლებლების მოსწავლეებისათვის მუშაობას.

ამ მემორანდუმის ფარგლებში მიმდინარე წლის 8 ოქტომბერს ყაზბეგის მუნიციპალიტეტს ერთდღიანი ვიზიტით ეწვინენ ცენტრის წევრები. დაისახა ერთობლივი სამუშაოების ჩატარების გეგმა.

5. ცენტრ „იდეა“-ს თანამშრომლობა ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველოსთან“

მჭიდრო თანამშრომლობა 2014 წლიდან ვითარდება ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველოსთან“.

ცენტრის ინიციატივით, ორგანიზებით და მონაწილეობით 2015 წლის 9 ივლისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი თსუ-სა და ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველო“-ს შორის. მემორანდუმს ხელი მოაწერეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ და ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველო“-ს დირექტორმა აჰარონ გაგულაშვილმა. მემორანდუმის მიზანია მხარეებმა ხელი შეუწყონ საქართველოში

სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებსა და ბიზნესორგანიზაციებს შორის საქმიანი ურთიერთობების გაღრმავებას.

მემორანდუმში გათვალისწინებულია:

1. ერთობლივი სოციალურ-ეკონომიკური, მმართველობითი და სამეცნიერო-საექსპერტო პროექტების განხორციელება;
2. სასწავლო-სატრენინგო კურსებისა და საჯარო ლექცია-სემინარების ერთობლივი ჩატარება დაინტერესებული მხარეებისთვის;
3. თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესურისა და სტუდენტური ცენტრ „იდეას“-ს წევრების გაგზავნა ისრაელსა და საქართველოში კომპანიის საწარმოებში გამოცდილების გასაზიარებლად, სტაჟირებასა და პროფესიულ პრაქტიკაზე;
4. ერთობლივი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციებისა და სიმპოზიუმების ჩატარება.

მემორანდუმის ფარგლებში, ფირმა „ნეტაფიმ-საქართველო“-ს მნიშვნელოვანი მხარდაჭერით, 2015 წლის 20-21 სექტემბერს სიღნაღში ჩატარდა II საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: აგრობიზნესის ორგანიზაცია და მართვა“.

6. ცენტრ „იდეა“-ს დირექტორის, ასოც. პროფესორ გიორგი შიხაშვილის საჯარო ლექცია თემაზე: „თეოლოგია და ეკონომიკა (ქრისტიანული პარადიგმა)“

2015 წლის 9 ივლისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა გიორგი შიხაშვილმა გამართა საჯარო ლექცია თემაზე: „თეოლოგია და ეკონომიკა (ქრისტიანული პარადიგმა)“. ლექცია გაიმართა თსუ რექტორის მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარის - “პოლიტეკონომიური საუბრები ლადო პაპავასთან“ ფარგლებში.

7. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ თეიმურაზ ბერიძის ლექციები ისრაელის ბენ-გურიონის უნივერსიტეტში

2015 წლის ივნისის ბოლო დეკადაში, ცენტრ „იდეა“-ს ინიციატივით და ფირმა „ნეტაფიმ-საქართველო“-ს მხარდაჭერით, არსებული მემორანდუმის ფარგლებში ისრაელს ვიზიტით ეწვია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი თეიმურაზ ბერიძე, რომელმაც ლექციები წაიკითხა ბენ-გურიონის უნივერსიტეტში.

8. გუნდური სტუდენტური სემესტრული პროექტების პრეზენტაცია ცენტრ „იდეა“-ს ოფისში

2015 წლის ივნისის დასაწყისში ცენტრის ოფისში (თსუ მაღლივი კორუსი, ოთ. № 1211) მოეწყო სტუდენტური სემესტრული გუნდური სასწავლო-შემოქმედებითი პროექტების პრეზენტაცია. მსგავს პროექტების შედგენა-პრეზენტაციას ყოველსემესტრული ხასიათი აქვს და ცენტრის დირექტორის გ. შიხაშვილის სასწავლო გეგმისა და მეთოდიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. პროექტების პრეზენტაციის შეფასება ხდება ცენტრის ხელმძღვანელისა და ცენტრის მენეჯერებით შედგენილი კომისიის მიერ.

2015 წლის ივნისის დასაწყისში, ოთხი სასწავლო ჯგუფიდან წარმოდგენილი იყო სხვადასხვა აქტუალურ თემაზე შესრულებული 16 პროექტი, რაც დიდ ინტერესს იწვევდა როგორც სხვა გუნდებში, ისე შემფასებლებში. მსგავსი ტიპის პროექტებთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის, რომ ადგილი არ ჰქონდა აზრების განმეორებას და ყოველ პროექტს მსმენელამდე მიჰქონდა ახალ-ახალი იდეები, მათი განხორციელების ორიგინალური გააზრება და სათანადო გზების დასახვა.

ყველასთვის სასიამოვნო და მნიშვნელოვანი იყო ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ თეიმურაზ ბერიძის დასწრება პროექტების პრეზენტაციაზე, რომელმაც განაცხადა: კარგი პროექტებია წარმოდგენილი. „ცენტრი "იდეა" კარგად მუშაობს, ვხედავ სტუდენტების სწრაფვას - გაიაზრონ, იმსჯელონ და დასახონ მოქმედების გზა აქტუალურ პრობლემებთან დაკავშირებით დ ეს ძალიან მნიშვნელოვანია".

9. ცენტრ „იდეა"-ს დირექტორის, ასოც. პროფესორ გიორგი შიხაშვილის ვიზიტი ლას-ვეგასის უნივერსიტეტში (აშშ)

2015 წლის 20 მაისს, თსუ სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი "იდეა"-ს დირექტორი გ.შიხაშვილი ეწვია აშშ-ის ლას-ვეგასის ნევადის უნივერსიტეტის კვლევებისა და ეკონომიკური განვითარების დეპარტამენტის ვიცე-პრეზიდენტს ტომას პიეჩოტას. განიხილულ იქნა ურთიერთსაინტერესო საკითხები და დაისახა თანამშრომლობის განვითარების გზები.

10. ისრაელის ბენ-გურიონის უნივერსიტეტის საპირის კოლეჯის პროფესორ რობერტ ალბინის ვიზიტი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე

2015 წლის 7 აპრილს, სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი "იდეა"-ს ინიციატივითა და ორგანიზებით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს ესტუმრა ისრაელის ბენ-გურიონის უნივერსიტეტის საპირის კოლეჯის პროფესორი რობერტ ალბინი. სტუმარი მიიღო ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თეიმურაზ ბერიძემ. საუბარი შეეხო თსუ-ს და ისრაელის უნივერსიტეტების თანამშრომლობისა და სტუდენტთა გაცვლის პერსპექტივებს. იმავე დღეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის გაიმართა პროფესორ რობერტ ალბინის ლექცია თემაზე: "ბიზნესის ეთიკა".

11. ტრენინგი თემაზე: პროექტების შედგენა არასამთავრობო სექტორისათვის

ცენტრ „ იდეა"-ს მთავარი პროგრამა - „შეიმეცნე და ააღორძინე საქართველო", ითვალისწინებს ტრენინგების ჩატარებას როგორც ცენტრის წევრებისა და ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, ასევე თსუ-ს გარე სამიზნე ჯგუფებისათვის (დროის მართვა; პროექტების შედგენა; პროფესიული ორიენტაცია; გრანტის მოპოვება; კონფერენციების მოწყობა; სამეცნიერო კვლევის მეთოდიკა; ადგილობრივი მართვა; საკუთარი ბიზნესის დაწყება და მართვა).

მიმდინარე წელს სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა" აგრძელებდა ტრენინგების ციკლს.

2015 წლის 23, 30 მარტს ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „პროექტების შედგენა არასამთავრობო სექტორისათვის". სწავლების ინდუქციური მეთოდის საფუძველზე ტრენინგის პირველი ნაწილი (23 მარტი) დაეთმო პრაქტიკულ მეცადინეობას (გუნდური მიკროპროექტების შედგენა-პრეზენტაცია), ხოლო მეორე (30 მარტი) - ჯგუფური დისკუსიების მეშვეობით თეორიული დებულებების გამომუშავებას.

12. ცენტრ „იდეა"-ს თანამშრომლობა სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან

ცენტრის ინიციატივით, ორგანიზებით და მონაწილეობით 2015 წლის 22 იანვარს სიღნაღში გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი თსუ-სა და სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობას შორის. უნივერსიტეტის სახელით მემორანდუმს ხელი მოაწერა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თეიმურაზ ბერიძემ.

მემორანდუმის მიხედვით მხარეები მიზნად ისახავენ, ხელი შეუწყონ საქართველოში სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებსა და ადგილობრივი მართვის ორგანოებს შორის საქმიანი ურთიერთობების გაღრმავებას.

თანამშრომლობა ითვალისწინებს ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი, საგანმანათლებლო, ეკონომიკური, მმართველობითი, საექსპერტო პროექტებისა და პროგრამების განხორციელებას, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების და სიმპოზიუმების ჩატარებას, კადრების მოსამზადებელი, სატრენინგო პროგრამებისა და ლექცია სემინარების ჩატარებას, როგორც სიღნაღის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისათვის, ასევე, ყველა დაინტერესებული მხარეების/ჯგუფების/ინდივიდების, მათ შორის ბიზნესსუბექტების და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, სტუდენტების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და პროფესიული სასწავლებლების მოსწავლეებისათვის.

მემორანდუმის ფარგლებში 2015 წლის 20-21 სექტემბერს სიღნაღში ჩატარდა ზემოაღნიშნული II საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: აგრობიზნესის ორგანიზაცია და მართვა“.

13. ცენტრ „იდეა“-ს თანამშრომლობა მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან

მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან 2014 წელს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებმა მესტიის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ანალიტიკური დოკუმენტისა და გეგმის შემუშავება დაიწყეს. არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქე“-ს პროექტის - „სტუდენტები თვითმმართველობისთვის“ ფინალურ ეტაპზე გადავიდა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტების გუნდი: მარიამ ჯიბუტი (ცენტრ „იდეა“-ს წევრი), შოთა ჯიბუტი (ცენტრ „იდეა“-ს წევრი), ანა ახვლედიანი, ანა სალიაშვილი და ნოდარ ვაწაძე.

2015 წლის 21 სექტემბერიდან 4 ოქტომბრამდე გუნდი იმყოფებოდა ტრენინგებზე პოლონეთსა და გერმანიაში ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხების დეტალურად შესასწავლად.

2015 წლის 23 ოქტომბერს გუნდმა მესტიის მუნიციპალიტეტში გამართა პრეზენტაცია, სადაც გამგეობის წარმომადგენლებს წარუდგინა კვლევითი პროექტის ფარგლებში შემუშავებული დოკუმენტები.

14.თანამშრომლობა - თსუ ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრთან

2015 წელს ცენტრი „იდეა“ მჭიდროდ თანამშრომლობდა - თსუ ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრთან (დირექტორი - ეკონომიკის დოქტორი ვახტანგ ჭარაია) პროექტ „ლიდერის“ ფარგლებში. ცენტრ „იდეა“-ს წევრები აქტიურად იყვნენ ჩართული პროექტ „ლიდერის“ ღონისძიებებში, სადაც მოიპოვეს შესაბამისი ჯილდოები და სერტიფიკატები.

15. ცენტრ „იდეა“-ს მონაწილეობა მთარგმნელობით პროექტში - S. Robbins, M. Coulter. Management, 2014.

2015 წლის განმავლობაში ცენტრ „იდეა“-ს წევრები გ. შიხაშვილი და თ. თაქთაქიშვილი უძღვებოდნენ სარედაქციო-საორგანიზაციო მუშაობას, რომელიც ხორციელდება მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის მიერ ინგლისურიდან ნათარგმნი სახელმძღვანელოს (S. Robbins, M. Coulter. Management, 2014) თსუ-ში გამოსაცემად.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული
ფაკულტეტი

2015 წლის ანგარიში

დანართი

1. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი მე-4) და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წესდების (პუნქტი მე-5) თანახმად ატარებს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სამეცნიერო საქმიანობის წლიური ანგარიშებისა და დასრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ექსპერტიზას;

2. ექსპერტიზაზე წარმოდგენილი სამეცნიერო საქმიანობისა და დასრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ანგარიში სრულად უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ შემდეგ ფორმებს.

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება

იურიდიული ფაკულტეტი

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი

პროფესორი ირაკლი ბურდული (დეკანი)

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა

პროფესორები:

- დავითაშვილი გიორგი
- სურგულაძე ნუგზარ
- კვერენჩხილაძე გიორგი
- ჭიღლაძე ნანა
- კოპალეიშვილი მაია
- ხარშილაძე ირმა
- ტურავა პაატა
- ალექსიძე ლევან
- კორკელია კონსტანტინე
- ქურდაძე ირინე
- ხუციშვილი ქეთევან
- ზოიძე ბესარიონ
- კერესელიძე დავით
- ნინიძე თევდორე
- ჭანტურია ლადო
- ბურდული ირაკლი
- ხუბუა გიორგი
- ივანიძე მაია
- ფაფიაშვილი ლალი
- ტურავა მერაბ

- თოდუა ნონა

ასოცირებული პროფესორები:

- ბოსტოღანაშვილი დავით
- გარიშვილი მარინა
- ფერაძე გოჩა
- კახიანი გიორგი
- თევდორაშვილი გიორგი
- გონაშვილი ვასილ
- ერემაძე ქეთევან
- კობახიძე ირაკლი
- ლორია ხათუნა
- ქარდავა ეკატერინე
- სირაძე ეკა
- პატარაია დავით
- ბითაძე მაია
- ზამბახიძე თამარ
- ჩაჩავა სოფიო
- ცისკაძე მარიამ
- ცერცვაძე გიორგი
- ზარანდია თამარ
- შენგელია ეკატერინე
- ჯანაშვილი ლელა
- აქუბარდია ირინა
- თუმანიშვილი გიორგი
- შალიკაშვილი მორის
- დვალიძე ირაკლი

ასისტენტ-პროფესორები:

- ონიანი სულხან
- ჩაჩანიძე ელზა
- წიგნაძე ანა
- ხოფერია მარიამ
- გოგიბერიძე გია
- კახიძე ირაკლი
- დარბაიძე ლევან
- მაჭარაძე ზურაბ
- გვარამაძე თამარ
- ღვამიჩავა თამარ
- კევლიშვილი მარიამ
- რუხაძე ნინო
- სურმავა ლიტა
- ბერეკაშვილი დიანა
- გაწერელია აკაკი
- ზოიძე თამარ
- ლაფაჩი ეკატერინე
- მახარობლიშვილი გიორგი

- საძაგლიშვილი დიმიტრი
- სვანაძე გიორგი
- ჩიტაშვილი ნათია
- გუგეშაშვილი გვანცა
- მჭედლიშვილი ვახტანგ
- ქოჩაშვილი ქეთევან
- შოთაძე თამარ
- ჯანაშია ლევან
- ბრეგვაძე ლაშა
- ძამუკაშვილი მაკა
- გოგნიაშვილი ნინო
- გორაშვილი გიორგი
- მაღლაკელიძე ლავრენტი
- ცქიტიშვილი თემურ
- ხარანაული ლევან
- ხერხეულიძე ირინე
- ოხანაშვილი ანრი
- მეურმიშვილი ბესიკ
- ხოდელი მაკა

I. 1. <u>საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით</u> 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

I. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1				
დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

I. 4.

2	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	საქართველოს ტერიტორიული მოწყობის პრობლემათა გადაწყვეტის გზები ბელგიისა და ესპანეთის ტერიტორიული მოწყობის შედარებით-სამართლებრივი ანალიზის ფონზე	რუსთველის ფონდი ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი NFR/355/2-181/14	ლელა ჯანაშვილი	გიორგი გოგიაშვილი (სდასუ)
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

პროექტი მიზნად ისახავს კლასიკური სიმეტრიული ტერიტორიული მოწყობის მოდელების კვლევის ნაცვლად (რაც გავრცელებული მეთოდია) ევროპის ორი ძირითადი ასიმეტრიული ტერიტორიული მოწყობის მქონე ქვეყნის: ბელგიისა და ესპანეთის ტერიტორიული მოწყობის ფორმის შედარებით-სამართლებრივ კვლევას, მათი გამოცდილების შესწავლასა და კვლევის შედეგების საფუძველზე საქართველოს ტერიტორიული მოწყობის პრობლემათა გადაწყვეტისათვის ხელშეწყობის მიზნით სპეციალური წინადადებების შემოთავაზებას.
შედარებითი-სამართლებრივი მეთოდის საფუძველზე ასიმეტრიული ტერიტორიული მოწყობის მოდელების სპეციალური კვლევა გახდება პირველი საინტერესო ცდა, რომლის შედეგებიც, დიდად შეუწყობს ხელს საქართველოს მომავალი ტერიტორიული მოწყობის პრობლემათა გადაწყვეტის ახალი სტრატეგიის განვითარებას და ყველაზე უფრო პრობლემური თემის - აფხაზეთისა და ოსეთის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრისათვის შედარებით- სამართლებრივ მეთოდზე დაყრდნობით მეცნიერულად არგუმენტირებული საფუძვლების ჩამოყალიბებას. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბოლო პერიოდში ქართულ საზოგადოებაში საქართველოს ტერიტორიული მოწყობის შესახებ მსჯელობები შეწყვეტილია, და სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის შესახებ

კონცეპტუალური კვლევის შედეგები უკანასკნელი წლების განმავლობაში აღარ გამოქვეყნებულა, თვალსაჩინოა რომ პროექტის განხორციელება და მისი შედეგები უდავოდ გახდება ახალი მეცნიერული დისკუსიისა და მსჯელობის განახლების საფუძველი, რაც აუცილებელი წინაპირობაა საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების გზაზე ამ ურთულესი პრობლემის დასაძლევად.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	ნონა თოდუა	სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები (პრობლემები და ინოვაციები)	2015 წელი, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“	98
	გოჩა ფერაძე	**„ბრალდების მხარდაჭერის ისტორია საქართველოში“**		მონოგრაფიაზე წარმოებს ინტენსიური სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა
	გოჩა ფერაძე	**„ვარლამ ჩერქეზიშვილი დიდი ბრიტანეთის წიგნსაცავებსა და არქივებში“** **წიგნი II**		იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებთან ერთად, ხდება დიდ ბრიტანეთში სამეცნიერო მივლინების დროს მოძიებული უცხოენოვანი მასალის თარგმნა და მეცნიერული დამუშავება
	ლ. ალექსიძე; ე. კობახიძე; ი. გაგუა; მ. დანელია; ნ. რუხაძე	ლათინურ იურიდიულ ტერმინთა ლექსიკონი	თბილისი, მერიდიანი	678
	თამარ ზოიძე	წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება (ქართული და გერმანული	მიმდინარეობს სამეცნიერო რედაქტირება, დაკაბადონება და გამოქვეყნებისთვის მომზადება	

		სამართლის შედარებითი ანალიზი)		
	გიორგი მახარობლიშვილი	კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი	თბილისი, იურისტების სამყარო	370
	ნათია ჩიტაშვილი	შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე	თბილისი, ,,ბონა კაუზა“	419
	ქეთევან ქოჩაშვილი	მფლობელობა და საკუთრება-ფაქტი და უფლება სამოქალაქო სამართალში (მეორე გამოცემა-გადამუშავებული და თანდართული ტესტებით)	თბილისი,” ბონა კაუზა”	354 გვ.
	თამარ შოთაძე	“შედარებითი სანივთო სამართალი (სანივთო სამართლის ცალკეულ ინსტიტუტთა შედარებითი ანალიზი)”	თბილისი, 2015 გამომცემლობა “იურისტების სამყარო”	172
	ბესიკ მეურმიშვილი	სისხლისსამართლე ბრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამოძიების სტადიაზე)	გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2015	345 გვ.
	გურამ ნაჭყებია	პრაქტიკული რეკომენდაციები საქართველოს სისხლის სამართლის	თბ. 2015	276 გვ.

	დავით მაისურაძე	კოდექსის ზოგად ნაწილში კორპორაციულ-სამართლებრივი თავდაცვითი ღონისძიებები კაპიტალური საზოგადოების რეორგანიზაციისას	თბილისი, მერიდიანი	308

ანოტაციები ქართულ ენაზე

ნონა თოდუას ნაშრომში განხილულია შემდეგი საკითხები: მინიმუმზე უფრო მსუბუქი სასჯელი, პირობითი მსჯავრი, თანაამსრულებლისა და თანამონაწილის გამიჯვნა, თაღლითობის გამიჯვნა სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან, სასჯელის ინდივიდუალიზაცია და სს კოდექსში გასატარებელი რეფორმები.

ანოტაცია ნაშრომზე - შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე

სახელშეკრულებო კომერციული ურთიერთობების რეგულირების მოქნილი სამართლებრივი მექანიზმები, განსაკუთრებით საბაზრო ურთიერთობების ლიბერალიზაციის პროცესში, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას, აყალიბებს სიკეთეთა სამართლიანი განაწილების მოქნილ სისტემას. შეცვლილი გარემოებების გავლენით გართულებული სახელშეკრულებო ვალდებულების არსებობისას, საბაზრო ურთიერთობების მართვის ეფექტური საკანონმდებლო მექანიზმებით შესაძლებელია მიღწეულ იქნეს კონტრაჰენტთა ინტერესების სამართლიანი განხორციელება, სახელშეკრულებო წონასწორობის შენარჩუნება, საზოგადოების მდგრადი ეკონომიკური განვითარება და კერძოსამართლებრივი პრინციპების აღსრულება.
კერძოსამართლებრივი პრინციპების აღსრულება სახელშეკრულებო წონასწორობის, სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტთა ინტერესების, მათი თანაზომიერი და ეკვივალენტური ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობების განხორციელების მიზანს ემსახურება. ხელშეკრულების უზენაესობის ფუძემდებლური დანაწესი – *Pacta sunt servanda* – სამოქალაქო სამართლის ზოგად, ტრანსნაციონალურ პრინციპად არის აღიარებული. შეცვლილი გარემოებების არსებობისას, როდესაც ხელშეკრულების დაურღვევლობის პრინციპის დაცვა სახელშეკრულებო თანასწორობისა და კეთილსინდისიერების ხელყოფას განაპირობებს, წინა პლანზე ინაცვლებს სახელშეკრულებო სამართლიანობისა და ინტერესთა ბალანსის აღდგენის ამოცანა, რომელიც სამოქალაქო სამართლის დაცვითი ფუნქციით არის არსობრივად განსაზღვრული. შესაბამისად, სახელშეკრულებო ბოჭვის საკითხი გადასინჯვასა და პასუხისმგებლობის გამომრიცხველი საფუძვლების არსებობის ანალიზს ექვემდებარება.
წინამდებარე ნაშრომი სწორედ შეცვლილი სახელშეკრულებო გარემოებებით განპირობებული ვალდებულების შესრულების გართულებისა და შეუძლებლობის, როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხველი საფუძვლებისა და ვალდებულების შესრულების დამაბრკოლებელი სამართლებრივი კონცეფციების კვლევას ეძღვნება. შეცვლილი გარემოებების პრობლემატიკის შესწავლა კი პირდაპირ მიემართება ვალდებულებითი სამართლის ცენტრალური მნიშვნელობის ფუნდამენტურ კატეგორიებს ვალდებულების შესრულების, დარღვევისა და თანამდევი მეორადი მოთხოვნის უფლებების სახით. აღნიშნული კი იმთავითვე განაპირობებს ნაშრომის მეცნიერულ და პრაქტიკულ ღირებულებას.

ბესიკ მეურმიშვილის მონოგრაფია შეეხება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და განხორციელების თავისებურებებს ქართულ სისხლის სამართლის პროცესში:

– პირველად ქართული სისხლის სამართლის პროცესის ისტორიაში, ნაშრომში მოცემულია ოფიციალური დევნის პრინციპისა და თანამედროვე სისხლისსამართლებრივი დევნის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი;

– განსაზღვრულია სისხლისსამართლებრივი დევნის შემადგენელი ელემენტების ახალი სტრუქტურა;

– გადმოცემულია სისხლისსამართლებრივი დევნისა და ბრალდების, ასევე დევნისა და გამოძიების თანაფარდობის ახლებური გააზრება;

– წარმოჩენილია სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასთან და მის განხორციელებასთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხები და მოცემულია მათი გადაჭრის ახალი გზები;

– გამოყოფილია ის საპროცესო მოქმედებები, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა;

– მოცემულია მიდგომები სისხლისსამართლებრივი დევნის დამწყები სუბიექტების პრობლემის აღმოსაფხვრელად;

– განსაზღვრულია პროკურორის როლი დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებისას.

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	ირმა ხარშილაძე სხვა თანაავტორებთან ერთად	საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი (სახელმძღვანელო)	გადაცემულია დასაბეჭდად	
	პაატა ტურავა სხვა თანაავტორებთან ერთად	საპოლიციო სამართალი	თბილისი შს სამინისტროს აკადემია	350
	ლადო ჭანტურია	სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილის 1-10, 50-67, 90-98 მუხლების კომენტარი	იბეჭდება	
	ირაკლი ბურდული	სამოქალაქო კოდექსის კომენტარი	თბილისი, GIZ, მომზადებულია გამოსაცემად	
	ირაკლი ბურდული/დემეტრე ებნატაშვილი/გიორგი მახარობლიშვილი	სამეწარმეო სამართლის რეფორმა: რეცეფცია და შედეგები	მომზადებულია გამოსაცემად, მერიდიან	

	მარინა გარიშვილი მარიამ ხოფერია	საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია	თბილისი, მერიდიანი	711
	ნანა ჭიღლაძე, გიორგი კვერენჩხილაძე, გიორგი კახიანი, ვასილ გონაშვილი, გიორგი თევდორაშვილი, ქეთევან ერემაძე	კონსტიტუციური სამართალი (სახელმძღვანელო)	გადაცემულია დასაბეჭდად	სახელმწიფო სახელმძღვანელოს გვერდების სავარაუდო რაოდენობა - 450-500 (ქეთევან ერემაძის მიერ შესრულებული გვერდების რაოდენობა შეადგენს 70 გვერდს)
	ეკატერინე ქარდავა, პაულა ბოროვსკა, ლაშა გოგიძე, დავით გუნაშვილი, ელგუჯა მაკალათია, ჰანს რიგერი, ქეთევან სამხარაძე, ივანე ხაჟალია	“ეთიკა და ქცევის ზოგადი წესები საჯარო სამსახურში”	GIZ 2015	88
	ეკატერინე ქარდავა, დიტერ უმბახი, პაატა ტურავა	“მამხილებელთა დაცვის ინსტიტუტი”	თბილისი 2015	44
	ეკატერინე შენგელია, რომან შენგელია	საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი	თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი”	494 გვ.
	ირაკლი დვალიძე, გიორგი თუმანიშვილი, ნინო გვენეტაძე	კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში თანდართული კაზუსის ნიმუშებით	თბილისი, გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის საზოგადოება (IRZ)	262
	გიორგი არსოშვილი, გივი მიქანაძე, მორის შალიკაშვილი	პრობაციის სამართალი	თბილისი	456 გვ.
	ირაკლი დვალიძე, გიორგი მახარობლიშვილი	სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლება და	მზად არის გამოსაცემად	დაახ. 150

		სისხლის სამართლით დაცული სამართლებრივი სიკეთე		
	დიმიტრი გეგენავა, ბექა ქანთარია, ლანა ცანავა, თენგიზ თევზაძე, ზურაბ მაჭარაძე, პაათა ჯავახიშვილი, თინათინ ერქვანია, თამარ პაპაშვილი	საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი	დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი	გვ. 418 გვ. 171-219
	ზურაბ მაჭარაძე, დიმიტრი გეგენავა	პრაქტიკუმი საკონსტიტუციო სამართალში	დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი	169
	ზურაბ მაჭარაძე	საქართველოს კონსტიტუცია, თარგმანი იტალიურ ენაზე	დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი	60
	ლუჩიო პეგორარო მთარგმნელი რედაქტორები: ზურაბ მაჭარაძე, დიმიტრი გეგენავა	იტალიის რთული მმართველობა: ევროპასა და ავტონომიებს შორის	გადაცემულია დასაბეჭდად	140
	კარლ-პეტერ ზომერმანი, გიორგი ხუბუა, პაატა ტურავა, ირაკლი კობახიძე, კობა ყალიჩავა, აკაკი გაწერელია, სანდრო სვანიშვილი,	საჯარო მმართველობის სახელმძღვანელო	გადაცემულია დასაბეჭდად	525 გვ.
	გიორგი მახარობლიშვილი	სამოქალაქო კოდექსის კომენტარი	თბილისი, GIZ, მომზადებულია გამოსაცემად	
	გვანცა გუგეშაშვილი	ანეტე კური, თომას დრეიერი, ევროპული	მომზადებულია გამოსაცემად	

		ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თარგმანი ქართულ ენაზე		
	ნინო გოგნიაშვილი	კრიმინალისტიკა (ძირითადი საკითხები კითხვა-პასუხებით)	ქ. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“	251 გვ.
	გურამ ნაჭყებია	სახელმწიფო ხელისუფლებათა განაწილების მიხედვით ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის პრობლემები, „სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობ-ისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის პრობლემა“	თბ. 2015	გვ. 170-173
	დემეტრე ეგნატაშვილი	სამოქალაქო კოდექსის კომენტარი	თბილისი, GIZ	

ანოტაციები ქართულ ენაზე

საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორიის სახელმძღვანელო გათვალისწინებულია სამართლის და საერთაშორისო სამართლის პროგრამის სტუდენტებისათვის და სამართლის ისტორიით დაინტერესებული ფართო მკითხველისათვის. სახელმძღვანელო, სამართლის ისტორიის შესწავლის, ცივილიზაციური, ქრონილოგიური და სივრცობლივი მეთოდების გამოყენებით, მიოცავს ინფორმაციას სახელმწიფო სამართლის, სამართლის წყაროების, კერძო სამართლის, სისხლის სამართლის ინსტიტუტებსა და სასამართლო ორგანიზაციასა და პროცესს ძველი აღმოსავლეთის, ანტიკური სამყაროს, ადრეული შუა საუკუნეების, განვითარებული შუა საუკუნეების პერიოდში და ახალ ხანაში.

ეკატერინე შენგელიასა და რომან შენგელიას სახელმძღვანელოში განხილულია ოჯახთან და მემკვიდრეობასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები. აღნიშნული საკითხები განხილულია სასამართლო, სანოტარო პრაქტიკისა და საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე. ნაშრომში ასახულია სამოქალაქო კანონმდებლობაში უკანასკნელ პერიოდში შეტანილი არსებითი ხასიათის ცვლილებები.

ი. დვალიძის, გ. თუმანიშვილისა და ნ. გვენეტაძის სახელმძღვანელო დაეხმარება სტუდენტებს და დაინტერესებულ პირებს ცალკეული შემთხვევების (კაზუსების) სწორ ანალიზში და მათი დასკვნის სტილში ამოხსნაში. იგი შეასწავლის ზემოხსენებულ პირებს კაზუსის ამოხსნის მეთოდოლოგიას და გაუადვილებს მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში სწორად გამოყენებაში. ამასთან ერთად დაეხმარება მათ საკუთარი პოზიციების სწორად დასაბუთებაში.

ანოტაცია ირაკლი დვალიძისა და გიორგი მახარობლიშვილის სახელმძღვანელოზე:

კვლევას დაექვემდებარა სისხლის სამართლის შემდეგი ნორმები:
მუხლი 190. კანონიერი სამეწარმეო საქმიანობისათვის ხელის შეშლა
მუხლი 192. უკანონო სამეწარმეო საქმიანობა
მუხლი 193. ცრუ მეწარმეობა
მუხლი 202. ინსაიდერული ინფორმაციის, კომერციული ან საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის უკანონოდ შეგროვება, გადაცემა, გახმაურება ან გამოყენება
მუხლი 205[1] ქონების გადამალვა მოჩვენებითი ან/და თვალთმაქცური გარიგებით
მუხლი 207. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შესახებ განცხადების შეუტანლობა გადახდისუუნარობისას
მუხლი 220. უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება
მუხლი 220[1] გულგრილობა
თანამედროვე ეკონომიკურ-კაპიტალისტურ ურთიერთობებში სამეწარმეო და ეკონომიკურ დანაშაულთა ოდენობა ზრდადი სტატისტიკითა და კომბინაციური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. აუცილებელია განიმარტოს სამეწარმეო და ეკონომიკურ დანაშაულთა რეპრესიული (სისხლისსამართლისეული) ნორმა-დებულებები შესაბამისი მომიჯნავე და დაკავშირებულ დისციპლინებთან ინტეგრაციაში. სამეწარმეო თავისუფლება არ ნიშნავს სახელმწიფოს ნეიტრალურ სუბიექტად წარმოჩინებას. შესაბამისად, აუცილებელია სისხლისსამართლებრივი რეგულაციები, ვინაიდან სამეწარმეო საქმიანობაც ერთიან სახელმწიფო პოლიტიკის და საზოგადოებრივი ინტერესების შემადგენელი ნაწილია. არაერთი საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ არ არსებობს მოცემული საკითხის კომპლექსური საფუძვლიანი გამოკვლევა, სადაც თეორიულთან ერთად პრაქტიკული პრობლემატიკა გაანალიზებულია და გაკეთებულია შესაბამისი მეცნიერული დასკვნები. აღნიშნულ დანაშაულებზე აქამდე არ განხორციელებულა სამართლის ორი დამოუკიდებელი დარგის (სისხლის სამართლის და საკორპორაციო სამართლის) სპეციალისტთა ერთობლივი კვლევა.
ფორმალური-იურიდიული (დოგმატური) და კვლევის სხვა მეთოდით დადგინდა ზემოაღნიშნული ნორმების მოქმედების ფარგლები. სასამართლო პრაქტიკისა და სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე განიმარტა შესაბამისი ნორმები და გაკეთდება საკანონმდებლო წინადადებები.საფუძვლიანი სამეცნიერო ნაშრომის შექმნა ხელს შეუწყობს ნორმაშეფარდებით საქმიანობის მართებულად და ეფექტიანად წარმართვას.

ნინო გოგნიაშვილის ნაშრომში განხილულია კრიმინალისტიკის კურსის მეთოდოლოგიის, კრიმინალისტიკის ტექნიკის, კრიმინალისტიკის ტაქტიკისა და ცალკეულ დანაშაულთა გახსნის მეთოდიკის მნიშვნელოვანი საკითხები. წიგნი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების, ექსპერტ-კრიმინალისტებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის სტუდენტებისა და მსმენელებისათვის. ნაშრომი ასევე დაეხმარება საგამოძიებო ორგანოების თანამშრომლებს, მოსამართლეებს, ადვოკატებსა და აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს.

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	ლადო ჭანტურია	ქართული სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა	იბეჭდება	62 გვ.
	დავით ბოსტოღანაშვილი	სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი III	გამომცემლობა “მერიდიანი”, თბილისი	8 გვ. (143-150)
	მარინა გარიშვილი	სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები წიგნი III	თბილისი, მერიდიანი	10
	ქეთევან ერემაძე	კანონის წინაშე თანასწორობა როგორც თავისუფლების გარანტია	თბილისი, გამომცემლობა “იურისტების სამყარო”	210 გვერდი
	კრისტოფერ ოსაკვე (თარგმანი თამარ შოთაძის)	”ანგლო-ამერიკულ სამართალში მორალური ზიანის ცნება კლასიფიკაცია და ანაზღაურება”	თბილისი, 2015 გამომცემლობა “იურისტების სამყარო”	100
	გურამ ნაჭყებია	ზოგიერთი საკანონმდებლო წინადადების მეთოდოლოგიური დასაბუთების პრობლემა	თბ. 2015	გვ. 5-26
	ანა ხარაიშვილი, გიორგი კიკვაძე, თამარ ბაზღაძე, კლაუს ჰოპტი	საკორპორაციო სამართლის კრებული	თბილისი, მერიდიანი	216

ანოტაციები ქართულ ენაზე

დავით ბოსტოღანაშვილის ნაშრომი წარმოადგენს თარგმანს საეკლესიო სამართლის სახელმძღვანელოდან, ნ. სუვოროვი, საეკლესიო სამართლის სახელმძღვანელო, 1908 წ.

მარინა გარიშვილის სტატია „დავით ბაგრატიონის - ქართველი განმანათლებელი“, რომელშიც აღწერილია ქართლ-კახეთის უკანასკნელი მბრძანებლის სამართლის ფილოსოფიაში გაწეული ღვაწლი, მისი სამართლებრივი და ფილოსოფიური ნაშრომების მიხედვით.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	გიორგი დავითაშვილი	საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები ქართული ჩვეულებითი (ხალხური) სამართლის მიხედვით; **სამართლის ჟურნალი,** (გადაცემულია დასაბეჭდად)	2015, №1.	თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა	24
	გიორგი დავითაშვილი	დანაშაულის განუცხადებლობისთვის პასუხისმგებლობის ზოგიერთი ასპექტი ვახტანგ მეექვსეს სამართლის წიგნის მიხედვით; კრებული: **სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევი**	№3	გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2015	9
	გიორგი დავითაშვილი	სხეულის დაზიანება როგორც დანაშაული ქართულ ჩვეულებით სამართალში; კრებული **სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევი**	№3	გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2015	47
	ირმა ხარშილაძე	ადმინისტრაციული გადაცდომისა და	მეექვსე გამოცემა	გადაცემულია დასაბეჭდად	

		სისხლის სამართლის დანაშაულის გამოძიების სამართლებრივი პრობლემები, სამხრეთ კავკასიის იურიდიული ჟურნალი			
	კონსტანტინე კორკელია	ბავშვთა უფლებათა დაცვა შვილად აყვანის სფეროში: საერთაშორისო გამოცდილება და მდგომარეობა საქართველოში, სტატიათა კრებულში: კონსტანტინე კორკელია (რედ.), ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე	2015		
	ბესარიონ ზოიძე	კონსტიტუციის ნორმების კონსტიტუციურობის შემოწმების პრობლემები, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“	ივლისი 2015 №8	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო; ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი	გვ. 3-16
	ლადო ჭანტურია	Человек открывший юристам окно в Европу, როლფ კნიპერის საიუბილეო კრებული ყაზახეთში	იბეჭდება		
	ლადო ჭანტურია	„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის რეფორმის ძირითადი მიმართულებები, წიგნში: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი III, ეძღვნება პროფესორ ივანე სურგულაძეს, რედაქტორი გოჩა ფერაძე		თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2015	გვ. 650-666

	ლალი ფაფიაშვილი	**„პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა პირადი ჩხრეკისას მობილურ ტელეფონებთან მიმართებით“** საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა	2015 წ. ივლისი, №8		69-85 (16 გვერდი)
	მარინა გარიშვილი	პროფ. იგორ ისაევის მონოგრაფიაზე „კანონის მითოლოგემები. სამართალი და ლიტერატურა“ მიცემული რეცენზია თსუ იურიდიული ფაკულტეტის ჟურნალი	2016 წლის №1, გადაცემულია დასაბეჭდად	თბილისი	3
	მარინა გარიშვილი	სამართლის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ, გიორგი ნანეიშვილის სადისერტაციო ნაშრომზე - „სამართლის ნამდვილობა და ნორმატიული ფაქტების დასაბუთების გამოცდილება“ ლუარსაბ ანდრონიკაშვილის მიერ მიცემული რეცენზია - რუსული ენიდან თარგმნა		თბილისი	10
	გოჩა ფერაძე	**„სამართლის ისტორიის მეცნიერული კვლევის სათავეებთან“**, (ეძღვნება პროფ. ივ.სურგულაძის ხსოვნას), კრებულში: გოჩა ფერაძე (რედ.), სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები	ტომი III	თბილისი გამომც. „მერედიანი“	გვ. 5-27

	გოჩა ფერაძე	**„უძველესი სასამართლო პროცესი ქართველი სახელმწიფო ბრალმდებლების მონაწილეობით“**	ტომი III	თბილისი გამომც. „მერედიანი“	გვ. 408-431
	ხათუნა ლორია	საჯარო ინფორმაციის გაცემის ზოგიერთი აქტუალური საკითხი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, წიგნში: გურამ ნაჭყებია – 75, საიუბილეო კრებული	გადაცემულია დასაბეჭდად		
	თამარ ზარანდია	„სასაქონლო საწყობში მიბარების ხელშეკრულების არსი, ელემენტები და პრინციპები“, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“	№5, 2015	თბილისი, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული ჟურნალი	21 გვ.
	ქეთევან ერემაძე	“თავისუფლება კონსტიტუციის ფარგლებში და თავად კონსტიტუციის გააზრების თავისუფლება”, საქართველოს კონსტიტუციის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი სტატიათა კრებული	გაგზავნილია დასაბეჭდად		14 გვ.
	ეკატერინე შენგელია	მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სამართლებრივი რეგულირება ქართული კანონმდებლობის მიხედვით	ცხოვრება და კანონი, №1(29)		12 გვ.
	ირინა აქუბარდია	საპროცესო კანონმდებლობის ლიბერალიზაცია და	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის	თბილისი, გურამ თავართქილაძის	

		მხარეთა თანასწორობა, პროფ. შოთა ფაფიაშვილის საიუბილეო კრებული	გამომცემლობა, გადაცემულია დასაბეჭდად	სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი	
	ირინა აქუბარდია	განრიდების ინსტიტუტს სრულყოფის შესახებ, წიგნში: გურამ ნაჭყებია – 75, საიუბილეო კრებული	გადაცემულია დასაბეჭდად		
	გიორგი თუმანიშვილი	ბრალდება და მისგან გადახრა სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის დროს, სამართლის ჟურნალი	გადაცემულია გამოსაქვეყნებლად	თბილისი, თსუ იურიდიული ფაკულტეტი	
	მორის შალიკაშვილი, თორნიკე ნემსწვერიძე	ყარაჩოღელებიდან „კანონიერ ქურდებამდე“ - ევოლუციის სავარაუდო ვარიაცია, თ. წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები	წიგნი 3	თბილისი, გამომც. მერიდიანი	გვ. 499-556
	სულხან ონიანი	„ცოდვის მოკიდების მნიშვნელობისათვის“ თ. წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები	წიგნი 3	თბილისი, გამომც. მერიდიანი	გვ. 346-381
	ზურაბ მაჭარაძე	კონტრასიგნაციის მექანიზმი (ქართული სინამდვილის მოკლე ანალიზი), კრებული: სახელმწიფო მმართველობის მოდელები:	მზად არის დასაბეჭდად	თბილისი	9

		საქართველოს საკონსტიტუციო სინამდვილე და პერსპექტივა			
	თამარ ღვამიჩავა	კასაციის მიზანი და ფარგლები ადმინისტრაციულ პროცესში, თსუ იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ჟურნალი	გადაცემულია დასაბეჭდად		13 გვერდი
	თამარ ზოიძე	საკუთრების უფლების ცნება და შინაარსი, ჟურნ. „კერძო სამართლის მიმოხილვა“	№1, 2015	დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა	გვ. 5-27
	გიორგი მახარობლიშვილი	გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა: კრედიტორის დაცვის საშუალება და შეზღუდული პასუხისმგებლობის გამორიცხვის მართლზომიერი მექანიზმი, წიგნში: გურამ ნაჭყებია – 75, საიუბილეო კრებული	მომზადებულია გამოსაცემად		25
	გიორგი მახარობლიშვილი	გერმანული დუალისტური სისტემა: გამოცდილება, თეორიები, რეფორმირება (თარგმანი)	საკორპორაციო სამართლის კრებული, III	თბილისი, მერიდიანი	გვ. 177-214
	ქეთევან ქოჩაშვილი	“ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ” (ვარსებობ, როგორც უფლების სუბიექტი, ჟურნ. “სამართლის ჟურნალი”	2015, №1	თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა	
	ქეთევან ქოჩაშვილი	ნება და ნების გამოვლენა (მეტასამართლებრივი და ცივილისტური გააზრება)	გადაცემულია პროფ. თ ნინიძის საიუბილეო კრებულში გამოსაცემად		

	თამარ შოთაძე	„სამომავლო საკუთრების უფლების აღიარების პრობლემები ქართულ მართლმსაჯულებაში (თბილისის სააპელაციო სასამრთლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 5 ივნისი გადაწყვეტილების ანალიზი)“, “სამართალი და მსოფლიო” საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი, სპეციალური გამოშვება	2, 2015	თბილისი	71-80
	თამარ შოთაძე	“უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის თავისებურებანი ანგლო–ამერიკულ სამართალში”, პროფესორ ნინიძის საიუბილეო კრებული	მზადდება გამოსაქვეყნებლად		14
	ლავრენტი მაღლაკელიძე	ბრალის გენეზისი ქართულ სისხლის სამართალში, „მართლმსაჯულება და კანონი“	№5	ქ. თბილისი, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის ჟურნალი	გვ. 90-106 სულ - 16 გვერდი
	თემურ ცქიტიშვილი	სიმთვრალეში განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების კვალიფიკაციისათვის (ისტორიული და შედარებით-სამართლებრივი ასპექტები), სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, ეძღვნება პროფესორ ივ.	მე-3 ტომი	თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი”	627-650

		სურგულაძის 110 წლის იუბილეს			
	თემურ ცქიტიშვილი	დამნაშავის წარსული ნასამართლობის მნიშვნელობა პროპორციული სასჯელის შეფარდებისთვის, სამხრეთ კავკასიის იურიდიული ჟურნალი	№6, გადაცემულია გამოსაქვეყნებლად	თბილისი	
	ირინე ხერხეულიძე	“აუცილებელი მოგერიების ფარგლები ქართული და ანგლო-ამერიკული კანონმდებლობის მიხედვით”, (DGStZ) Deutsch – Georgische Strafrechtszeitschrift ქართულ-გერმანული სისხლის სამართლის ჟურნალი	№1, 2016	ბერლინი, გერმანია, ელექტრონული ფორმატი	8 (რვა) გვერდი
	ბესიკ მეურმიშვილი	სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება პირის ბრალდებულად ცნობით, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტუალი“	№30	თბილისი	140-147
	ბესიკ მეურმიშვილი	მოსაზრებები სისხლისსამართლებრივი დევნისა და ბრალდების თანაფარდობის შესახებ; საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტუალი“, 2015	გადაცემულია დასაბეჭდად	თბილისი	
	ბესიკ მეურმიშვილი	Characteristics of Initiating Criminal Prosecution in England and France, IBSU Journal of Social Sciences, 2015	თბილისი		
	გურამ ნაჭყებია	„გადავარდეს თუ არა იურისტი ფილოსოფიაში?“ „ფილოსოფიური ძიებანი“	ტ. XIX	თბილისი	გვ. 91-105

	გურამ ნაჭყებია	ბრალისა და მისი ფორმების ერთიანობის პრობლემა სასამართლოში, (გულგრილობის ცნება ბრალის ფორმების პრობლემატიკაში), საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“	2015, 2		გვ. 26-32
	ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედიხი	«შენიშვნები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსზე» ჟურნალი »სამართალი და მსოფლიო»	2015 წელი, 2	თბილისი, გამომცემლობა «დანი»	5
	ედიშერ ფუტკარაძე	სასჯელის სამართლებრივი რეგულირება და სასამართლო პრაქტიკა საქართველოში, „ცხოვრება და კანონი“	2015 წ. №1		გვ. 22-35
	თამარ ებრალიძე	„დანაშაულის პროვოკაცია“, ოთარ გამყრელიძის საიუბილეო კრებული	გადაცემულია გამოსაქვეყნებლად		
	თამარ ებრალიძე	„კომერციული მოსყიდვა“, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის „მაცნე“			
	შოთა ბიჭია	პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის გამოძიების დაწყებამდე გასვლის პროცესუალური შედეგი, წიგნში: გურამ ნაჭყებია – 75, საიუბილეო კრებული	გადაცემულია დასაბეჭდად		15

ანოტაციები ქართულ ენაზე

გიორგი დავითაშვილის სტატია - საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები ქართული ჩვეულებითი (ხალხური) სამართლის მიხედვით (ანოტაცია)

სტატია შედგება შესავლის, ოთხი თავისა და დასკვნისაგან. აღნიშნული დანაშაულები

განხილულია მე-19-20 საუკუნის ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე. ძირითადად ნაშრომი ეფუძნება გამოუქვეყნებელ საარქივო მონაცემებს. ნაშრომში ცალ-ცალკეა განხილული საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები: საზოგადოების ღალატი, ეკლესიისა და ჯვარ-ხატის გატეხვა, საერთო (სასოფლო-სათემო) და ჯვარ-ხატების ქონების ხელყოფა, საზოგადოებაში პრეროგატივის მოპოვებისკენ სწრაფვა. საქართველოს მთის რეგიონებში საზოგადოების (თემის) ღალატად ითვლებოდა საზოგადოების (თემის) თავისუფლების ხელყოფა, მტრის დახმარება საკუთარო თემ-სოფლის ასაკლებად. საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ უმძიმეს დანაშაულად ქართული ჩვეულებითი სამართალი თვლიდა ეკლესიის და ჯვარ-ხატის გატეხვას. სვანური ჩვეულებითი სამართლის თანახმად, ეკლესიის გაძარცვა სიკვდილით დასჯას იწვევდა, ხოლო ფშავ-ხევსურეთში ჯვარ-ხატის გატეხვა თემის ღალატის, როგორც დანაშაულის შემადგენლობაში შედიოდა და შესაბამისად უმძიმეს დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნებოდა. საქართველოს მთიანეთში, სადაც არ იყო წოდებრივ-უფლებრივი განსხვავება, უაღრესად ნეგატიურად აღიქმებოდა საზოგადოების ნებისმიერი წევრის სწრაფვა თანამოთემეებთან შედარებით რაიმე პრივილეგიის (უფლებრივი, ქონებრივის) მოპოვებისაკენ. ასეთი ქმედება აქ საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად ითვლებიდა. ნაშრომში თითოეული ეს დანაშაული საქართველოს სხვადასხვა კუთხის ჩვეულებითი სამართლის მიხედვითაა განხილული.

გიორგი დავითაშვილის სტატია - დანაშაულის განუცხადებლობისთვის პასუხისმგებლობის ზოგიერთი ასპექტი ვახტანგ მეექვსეს სამართლის წიგნის მიხედვით (ანოტაცია)

სტატია ძირითადად ეფუძნება ვახტანგ მეექვსეს სამართლის წიგნის 236-ე მუხლში გადმოცემულ ნორმას, რომლის მიხედვითაც, რჯულის ღალატისა და მეფის ორგულობის განუცხადებლობა დანაშაულად ითვლება და ისეთივე პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, როგორსაც ამ დანაშაულის ჩადენა. ამ დანაშაულთა განუცხადებლობის დასჯადობის დაწესება განპირობებული იყო ამ დანაშაულთა საჯარო-სამართლებრივი ხასიათით, ხოლო კერძო ხასიათის დანაშაულთა განუცხადებლობა კი კრიმინალიზებული არ ყოფილა. სტატიაში ეს საკითხი განხილულია ვახტანგის სამართლის წიგნის სხვა ზოგიერთ მუხლთან მიმართებაში. ასევე გაანალიზებულია გარკვეული მონაცემები დანაშაულის განუცხადებლობის დასჯადობის შესახებ ვახტანგ მეექვსეს შემდგომ პერიოდში, კერძოდ, მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში.

გიორგი დავითაშვილის სტატია - სხეულის დაზიანება როგორც დანაშაული ქართულ ჩვეულებით სამართალში (ანოტაცია)

ნაშრომი შედგება შესავლისა და სამი თავისაგან. ნაშრომში განხილულია სხეულის დაზიანებასთან, როგორც დანაშაულთან დაკავშირებული ზოგადი ასპექტები. კერძოდ, მოცემულია დაჭრა-დასახიჩრების, როგორც დანაშაულის ზოგადი დახასიათება ქართულ ჩვეულებით სამართალში დანაშაულის სუბიექტური მხარის, თანამონაწილეობის, პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების თვალსაზრისით. გაანალიზებულია დაჭრა-დასახიჩრების გამომწვევი მიზეზები, ძითიადად საქართველოს მთის რეგიონების მიხედვით. ცალკეა მოცემული აღნიშნული დანაშაულის გავრცელებულობის საკითხი და შუღლის, კეჭნაობის თავისებურებანი საქართველოს მთიანეთში. ცალკე თავი ეთმობა სხეულის დაზიანების, როგორც დანაშაულის კლასიფიკაციას მისი სიმძიმის მიხედვით. თავდაპირველად განხილულია სხეულის დაზიანების კლასიფიკაცია სვანური ჩვეულებითი სამართლის მიხედვით. კვლევის თანახმად, სვანური ჩვეულებითი სამართალი სიმძიმის მიხედვით სხეულის სამი სახის დაზიანებას გამოყოფს: 1. მძიმე დაჭრა, რაც გულისხმობს პიროვნების დასახიჩრებას და სახის წარუხოცელ დამახინჯებას, 2. ადამიანის სხეულის დაზიანება, რომელსაც არ მოჰყოლია დასახიჩრება და სახის წარუხოცელი დამახინჯება,

თუმცა აუცილებლად გულისხმობს ადამიანის დასისხლიანებას. ეს კი შეიძლება მომხდარიყო როგორც ბასრი იარაღით დაჭრით, ისე ცემით. 3. სხეულის ყველაზე მსუბუქი ხასიათის დაზიანება, რაც გულისხმობს დაზიანების მიყენებას გარტყმის, ცემის შედეგად, რასაც არ მოჰყოლია სისხლის გამოდენა. სხეულის დაზიანების მსგავს კლასიფიკაციას ვხვდებით ხევსურულ ჩვეულებით სამართალშიც. ნაშრომში განხილულია ასევე სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის განმაპირობებელი ფაქტორები ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით. კვლევის შედეგად დადგენილია, რომ ამ ფაქტორებს მიეკუთვნება: ჭრილობის ადგიმლდებარეობა, ჭრილობის სიდიდე, ჭრილობის სიღრმე, იარაღის სახეობა, რითაც მიყენებული იყო ჭრილობა, მიყენებული ჭრილობით გამოწვეული ჯანმრთელობის ზიანის ხარისხი.

სამართლის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ, გიორგი ნანეიშვილის სადისერტაციო ნაშრომზე - „სამართლის ნამდვილობა და ნორმატიული ფაქტების დასაბუთების გამოცდილება“ ლუარსაბ ანდრონიკაშვილის მიერ მიცემული რეცენზია - რუსული ენიდან თარგმნა (ანოტაცია)

გამოჩენილი ქართველი იურისტის ლუარსაბ ანდრონიკაშვილის მიერ პროფ გ. ნანეიშვილის სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, შესრულებულ დისერტაციაზე მიცემული რეცენზია, რომელშიც შეფასებულია არამხოლოდ დისერტანტის სამეცნიერო კვლევის შედეგები სამართლის ფილოცოფიის სფეროში, არამედ გამოთქმულია მეტად ღირებული მოსაზრებები მეცნიერების აღნიშნულ სფეროში. რეცენზიის ქართულენოვანი ტექსტი დღემდე არ მოიპოვებოდა.

ლალი ფაფიაშვილის სტატია -„პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა პირადი ჩხრეკისას მობილურ ტელეფონებთან მიმართებით“ (ანოტაცია)

მობილური ტელეფონების ჩხრეკისას იქმნება პერსონალური და საქმესთან კავშირში არ მყოფი პირადი ხასიათის ინფორმაციის შემცველი ფოტოსურათების, მესიჯების, მეილების, ჩანაწერების და ა.შ. ხელშეუხებლობის ხელყოფის საფრთხე, რომელიც განსაკუთრებით მაღალია დაკავების ადგილზე მობილური ტელეფონის ჩხრეკის წარმოებისას, როდესაც პრაქტიკულად არ და ვერ ხერხდება მობილურის შიგთავსის დასათვალიერებლად სპეციალური სოფტების და პროგრამების გამოყენება, რამაც უნდა უზრუნველყოს როგორც ტელეფონში არსებული ინფორმაციის დაზიანების პრევენცია, ასევე საქმესთან კავშირში არ მყოფი ინფორმაციის ხელშეუხებლობა. სტატიაში განხილულია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრობლემატური ასპექტები პირის დაკავებისას მობილური ტელეფონის ჩხრეკა-ამოღებასთან მიმართებით და შემოთავაზებულია კონკრეტული წინადადებები საპროცესო კანონმდებლობის და სასამართლო პრაქტიკის სრულყოფისათვის.

ეკატერინე შენგელიას ნაშრომში განხილულია მიკროსაფინანსო ორგანიზაციის შექმნისა და საქმიანობის წესი. ასევე მმართველობის ორგანოების კომპეტენცია. აღნიშნული საკითხები განხილულია ქართული კანონმდებლობისა და რეგისტრირებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წესდების ანალიზის საფუძველზე.

გიორგი თუმანიშვილის სტატია - ბრალდება და მისგან გადახრა სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის დროს (ანოტაცია)

სისხლის სამართლის პროცესში საქმის არსებითი განხილვის საგანი განისაზღვრება ბრალდების შესახებ პროკურორის დადგენილებით. ბრალდების მხარეს არსებული მტკიცების ტვირთიდან გამომდინარე, პროკურორმა ბრალდების ფარგლებში უნდა ამტკიცოს ბრალდებულის მიერ ინკრიმინირებული დანაშაულის ჩადენა. როგორც წესი, წმინდა შეჯიბრებით, ე.წ. ადვერსალურ სისხლის სამართლის პროცესში, მოსამარლე არ

უნდა გასცდეს საქმის არსებითი განხილვის საგანს და მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება ბრალდებულისთვის წარდგენილი ბრალდების ფარგლებში. ბრალდების ფარგლები დანაშაულის კვალიფიკაციასთან ერთად მოიცავს ასევე ინკრიმინირებული ქმედების ფაქტობრივ გარემოებებს, ანუ იმ ფაქტებსა და გარემოებებს, რომლებიც ბრალდების მხარის შეფასებით წარმოადგენს კონკრეტულ დანაშაულს. სასამართლო პრაქტიკაში პრობლემა იჩენს მაშინ თავს, როდესაც არის შეუსაბამობა ბრალებით განსაზღვრულსა და სასამართლოში მტკიცებულებების გამოკვლევის შედეგად დადგენილ ქმედების ფაქტობრივ გარემოებებში, ანუ როდესაც ადგილი აქვს ბრალდებიდან ფაქტობრივ გადახრას. ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა სასამართლოში დგინდება ბრალდებულის მიერ ბრალად წარდგენილი ქმედების ჩადენა, თუმცა შეუსაბამობაა ქმედების განხორციელების ხერხში, დროში, ადგილში ან დანაშაულით ხელყოფილ ობიექტში. პრობლემატურია ასევე შემთხვევა, როდესაც სასამართლოში ადგილი აქვს ბრალდებიდან სამართლებრივ გადახრას, კერძოდ, როცა ბრალდებით წარდგენილი ქმედების ნაცვლად დგინდება ბრალდებულის მიერ სხვა დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება. საკითხავია, შეუძლია თუ არა მოსამართლეს მსგავს შემთხვევებში გასცდეს ბრალდების ფარგლებს და პირი ცნოს დამნაშავედ ან გადააკვალიფიციროს ბრალად წარდგენილი ქმედება და მსჯავრი დასდოს ბრალდებულს ბრალდებით გაუთვალისწინებელი დანაშაულის ჩადენისათვის. აღნიშნულს საკითხთან დაკავშირებით საქართველოში ჩამოყალიბდა არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა. ცალკეული მოსამართლეები ბრალდებიდან გადახრის შემთხვევებში ერიდებიან დანაშაულის გადაკვალიფიცირებას შედარებით ნაკლებად მძიმე დანაშაულის შემადგენლობაზე და გამოაქვთ გამამართლებელი განაჩენი. ამასთან, არსებობს ისეთი გადაწყვეტილებებიც, როდესაც მოსამართლე არ ეთანხმება ბრალდების მხარეს წარდგენილ ბრალდებაში და ბრალდებულს დამნაშავედ ცნობს მსგავსი სიმძიმის (ან შედარებით ნაკლებად მძიმე), თვისობრივად და მატერიალურ-სამართლებრივად მსგავსი დანაშაულის ჩადენისთვის. უფრო მეტიც, სასამართლო პრაქტიკა იცნობს ისეთ გადაწყვეტილებასაც, სადაც ბრალდებული გამართლდა წარდგენილ ბრალდებაში და მსჯავრი დაედო მას თვისობრივად და მატერიალურ-სამართლებრივად განსხვავებული დანაშაულის ჩადენისთვის.

ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას, განსაზღვროს ბრალდების ფუნქცია და შესთავაზოს მკითხველს ბრალდებისგან გადახრის ცალკეულ შემთხვევებში პრობლემის გადაჭრის გზები.

ლავრენტი მაღლაკელიძის სტატია - ბრალის გენეზისი ქართულ სისხლის სამართალში (ანოტაცია)

ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში განზრახვისა და მართლწინააღმდეგობის შეგნების პრობლემა, ტრადიციულად, სამეცნიერო დისკუსიის საგანს წარმოადგენს. დოგმატიკოსებს შორის ამ ინსტიტუტის შინაარსობრივ მხარესთან დაკავშირებით ერთიანი პოზიცია არ არსებობს. ეს განპირობებულია, უპირველეს ყოვლისა, სხვადასხვა პერიოდში მოღვაწე ქართველ მეცნიერთა მიერ ჩამოყალიბებული და შემდგომ სისხლის სამართლის ლიტერატურაში დამკვიდრებული არაერთგვაროვანი შეხედულებების სიმრავლით.

ქართულ საბჭოთა სისხლის სამართლის დოგმატიკაში საზოგადოებრივი საშიშროების შეგნება (მართლწინააღმდეგობის შეგნება) განიხილებოდა როგორც განზრახვის ერთ-ერთი კომპონენტი, ხოლო თავად განზრახვა, როგორც ბრალის ერთ-ერთი ფორმა.

თანამედროვე ქართულ სისხლის სამართალში კვლავაც აქტუალურია ამ საკითხთან მიმართებაში სამეცნიერო მსჯელობა. აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ამ ცნებების ადგილი და შინაარსი დანაშაულის ერთიან სისტემაში. მართალია, შინაარსობრივი თვალსაზრისით, დღეს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში მოცემული ნორმები ერთგვარად განსხვავდება ადრე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის ანალოგიური ნორმებისგან,

მაგრამ ეს ცვლილება, შეიძლება ითქვას, რომ განზრახვისა და მართლწინააღმდეგობის შეგნების ურთიერთმიმართების საკითხსა და მათ ადგილს დანაშაულის სისტემაში ნაკლებად ეხება.

წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკის მიხედვით განზრახვისა და მართლწინააღმდეგობის შეგნების ურთიერთმიმართების პრობლემის ისტორიული განვითარების ეტაპები, რის შემდეგაც წარმოდგენილია შესაბამისი სამართლებრივი დასკვნები და რეგულაციები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

სამეცნიერო სტატია "აუცილებელი მოგერიების ფარგლები ქართული და ანგლო-ამერიკული კანონმდებლობის მიხედვით", 2015 წლის ფარგლებში შესრულდა და გადაცემულია დასაბეჭდად ახლად დაარსებული ქართულ-გერმანული სისხლის სამართლის ელექტრონული ჟურნალის პირველსავე ნომერში. სტატია ეხება აუცილებელ მოგერიებას, როგორც გამამართლებელ გარემოებას და აანალიზებს მისი მართლზომიერების ფარგლებს როგორც ქართულ, და შესაბამისად კონტინენტალური ევროპის სამართლის სისტემის ქვეყნების, ასევე ანგლო-ამერიკულ სამართალის სისტემის ქვეყნების სისხლის სამართალშიც. ნაშრომი განიხილავს ორივე სისტემისათვის დამახასიათებელ სამართლებრივ/საკანონმდებლო ასპექტებს აუცილებელი მოგერიების ფარგლების ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით და მათ შორის წარმოჩენილი მსგავსება-განსხვავებების საფუძველზე, აკეთებს დასკვნას ქართული „აუცილებელი მოგერიების ფარგლების" და ანგლო-ამერიკული „არასრული აუცილებელი მოგერიების" სამართლებრივი ღირებულებისა თუ ნაკლოვანების შესახებ.

ბესიკ მეურმიშვილის პირველ სტატიაში განხილულია სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა, პირის ბრალდებულად ცნობა. გამოძიების სტადიაზე მოპოვებულ მტკიცებულებებზე (და არა მხოლოდ ფაქტებზე) დაყრდნობით, პროკურორი იწყებს სისხლისსამართლებრივ დევნას პირის ბრალდებულად ცნობით. ეს პროცესი სისხლისსამართლებრივი დევნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შემადგენელ კომპონენტად უნდა იქნეს განხილული. მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით, საბრალდებო საქმიანობის განხორციელების ექსკლუზიური უფლება პროკურორს აქვს, ვინაიდან პირის ბრალდება პროკურორის უფლებამოსილებაა. ამასთან, პირის ბრალდების შესახებ დადგენილების გამოტანით შესაძლებელია სისხლისსამართლებრივი დევნა მხოლოდ კი არ დაიწყოს, არამედ გაგრძელდეს კიდეც. ამ შემთხვევას მაშინ აქვს ადგილი, როცა პირი დაკავებულია.

ბესიკ მეურმიშვილის მეორე სტატიაში განხილულია მოსაზრებები სისხლისსამართლებრივი დევნისა და ბრალდების თანაფარდობის შესახებ. იურიდიულ ლიტერატურაში ამ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს აზრთა ერთიანობა. მეცნიერთა ერთი ნაწილი ამ ორ ინსტიტუტს შორის განსხვავებას ვერ ხედავს, თუმცა აღიარებს იმას, რომ ტერმინ „ბრალდებას" შეიძლება გააჩნდეს სხვა დატვირთვაც. მკვლევართა მეორე ნაწილი სისხლისსამართლებრივ დევნას ფართო მნიშვნელობით განიხილავს და მასში მოიაზრებს ბრალდებასაც, ხოლო იურისტ-მეცნიერთა მესამე ნაწილი კი ბრალდებაში მოიაზრებს არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივ დევნას, არამედ გამოძიებასაც.

ბესიკ მეურმიშვილის მესამე სტატია შეეხება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თავისებურებებს ინგლისში და საფრანგეთში. ამასთან ერთად, ნაშრომში შედარებით-სამართლებრივ ჭრილში განხილულია ასევე საქართველოში, საფრანგეთსა და ინგლისში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება. ამ ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობის ნორმების შედარების საფუძველზე, გამოკვეთილია მსგავსება და განსხვავება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია დევნის დამწყებ სუბიექტთა წრეზე და მათ უფლებამოსილებებზე. ნაშრომის დასკვნაში გაკეთებულია შეფასებები, თუ რამდენად არის

მიზანშეწონილი ინგლისში და საფრანგეთში არსებული სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ელემენტების საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში გათვალისწინება.

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	პაატა ტურავა	კორუფცია შს სამინისტროს სისტემაში	Regional Hub of Civil Service in Astana United Nations Development Programme	
	ლელა ჯანაშვილი	El sistema politico de Georgia: objetivos, problemas y perspectivas	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი, ბარსელონა, 2015, Edici֟n: Institut de Cioncies Polոtiques i Socials (ICPS) Mallorca, 244, pral. 08008 Barcelona (Espaևa) http://www.icps.cat © Lela Janashvill ISSN: 1133-8962 DL: B-10186-2012	15
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ-ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	დავით ბოსტოღანაშვილი	Studia Prawonoustrojowe		Uniwersitetu Warminsko-Mawurskiego w Olztyne, Olztyn (პოლონეთი)	8 გვ. (27-34)
	მარინა გარიშვილი	სისხლის სამართლის ინსტიტუტები დავით ბაგრატიონის „საქართველო სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვის“ მიხედვით	Studia Prawnoustrojowe PL ISSN 1644-0412	პოლონეთი, ქ. ოლშტინი, ვარმია-მაზურების სახელმწიფო უნივერსისტეტის გამომცემლობა	14
	ედიშერ ფუტკარაძე	Rechtsregelung der Strafe und Rechtspraxis in Georgien	2nd Criminal Law Reforms Congress, 30 May-6 June, 2015, Istanbul, www.criminallawreforms.org		575-596

ანოტაციები ქართულ ენაზე

დავით ბოსტოღანაშვილის ნაშრომი ეხება რუსული მმართველობის შემოღებას აღმოსავლეთ საქართველოში და იმ ცვლილებებს რაც განხორციელდა აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფო მმართველობის თვალსაზრისით.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3	გიორგი კვერენჩხილაძე	„საკანონმდებლო საქმიანობის ხარვეზები და მათი გაუმჯობესების გზები საქართველოში“	2015, 09/VI.
	პაატა ტურავა	ეროვნული გარემოს დაცვის სამართალი როგორც გარემოს დაცვის საერთაშორისო	Network conference Human and Environmental Resources in Multiethnic Societies 5th – 7th November 2015, Tbilisi

		პრობლემის გადაჭრის ინსტრუმენტი	Venue Ivane Javakhishvili Tbilisi State University
	კონსტანტინე კორკელია	პარლამენტის როლი ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესში	Regional Seminar on the Role of National Parliaments in Implementing Standards of the European Convention on Human Rights, Tbilisi, 21-22 September, 2015
	ბესარიონ ზოიძე	საკუთრების უფლების ევოლუცია ქართულ სამართალში	5-6 ნოემბერი, 2015, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
	თევდორე ნინიძე	თინათინ წერეთელი: დროთა კავშირი	24-25 ნოემბერი, 2015, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
	ირაკლი ბურდული	Forum on higher education cooperation between Germany and the eastern Bologna Member Countries	11-13 მაისი 2015 წ. თბილისი, საქართველო
	ირაკლი ბურდული	Constitutional State against Global Threats	7 მაისი 2015 წ. თბილისი, საქართველო
	მაია ივანიძე	„ალტერნატიული სასჯელები“	2015 წლის 24-25 ნოემბერი, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, საქართველო
	მაია ივანიძე	„ოჯახში ჩადენილი დანაშაული“	2015 წლის 8-10 ოქტომბერი, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, საქართველო
	მაია ივანიძე	„მოსამართლის თვალით დანახული არასრულწლოვანთა დანაშაულის თავისებურებანი“	2015 წლის 29-30 აპრილი, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი, საქართველო

	ნონა თოდუა	ამსრულებლისა და თანამონაწილის გამიჯვნის საკითხი საქართველოსა და გფ სს კანონმდებლობის მიხედვით	2015 წლის 9-19 ოქტომბერი, თბილისი
	ნონა თოდუა	მოხელის ქმედების კვალიფიკაცია, როცა წამება ან მისი მუქარა გამოყენებულია ჩვენების მიცემის იძულებისათვის	2015 წლის 20 ნოემბერი, თბილისი
	ნონა თოდუა	თანაამსრულებლობის საკითხი შერეული უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულში	2015 წლის 24-25 ნოემბერი, თბილისი
	ლალი ფაფიაშვილი	კონსტიტუციური კონტროლის მექანიზმები	29 მაისი 2015წ, თბილისი
	ლალი ფაფიაშვილი	თავისუფლების უფლების კონსტიტუციური ფარგლები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებში	27-28 ივნისი 2015წ, ბათუმი
	ლალი ფაფიაშვილი	თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება: საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში	9-11 სექტემბერი 2015 წ, ბათუმი
	გოჩა ფერაძე	**აკადემიკოს ისიდორე დოლიძის გახსენება** (დაბადებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით)	თბილისი, საქართველოს მეცნ-ბათა აკადემიის პრეზიდიუმი, 2015 წლის აპრილი
	ეკატერინე ქარდავა	საჯარო სამსახურის რეფორმა	ბათუმი, 20.06-01.07 2015
	ეკატერინე ქარდავა	NISPAcee-ის რიგით 23-ე საერთაშორისო კონფერენცია	თბილისი, 21.05.2015
	ეკატერინე ქარდავა	საჯარო სამსახურის შესახებ	თბილისი, 20.11.2015 მეცნიერებათა აკადემია

	თამარ ზარანდია	საკუთრების უფლების ვინდიკაციური დაცვა საქართველოში	თსუ I აკად. კორპ., №115; თბილისი, 6-XI-2015
	ლელა ჯანაშვილი	გლობალური უსაფრთხოება და საქართველო	კონსტიტუციური სახელმწიფო გლობალური საფრთხეების წინააღმდეგ 7-8 მაისი საერთაშორისო კონფერენცია (თსუ- შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია)
	ირინა აქუბარდია	„შეჯიბრებითობის ქართული მოდელის ზოგიერთი ასპექტი“	„სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიან ევროპაში” ქართულგერმანული კონფერენცია სისხლისსამართალში 8-10 ოქტომბერი, თსუ, 2015
	ირინა აქუბარდია	„პირველი ინსტანციის სასამართლოს შემადგენლობის ოპტიმიზაციის ზოგიერთი ასპექტი“	2015 წლის 20 ნოემბერი, “სისხლის სამართლის რეფორმების ხელშეწყობა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით“ („ციხის საერთაშორისო რეფორმა“), თბილისი, „მარიოტი“
	ირინა აქუბარდია	ზოგიერთი მოსაზრება განრიდების ინსტიტუტის სრულყოფის შესახებ	თინათინ წერეთლის 110 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენცია 24-25 ნოემბერი, თსუ, 2015
	გიორგი თუმანიშვილი	ბრალდება და მისგან გადახრა სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის დროს	2015 წლის 8-10 ოქტომბერი, თბილისი
	მორის შალიკაშვილი	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროექტის კრიმინოლოგიური შეფასება	29-30 აპრილი, 2015, თბილისი

	ნინო გოგნიაშვილი	კრიმინალისტიკის როლი დანაშაულის გამოძიებისა და გახსნის პროცესში და კრიმინალისტიკის განვითრების თანამედროვე ტენდეციები	ქ. თბილისი, დანაშაულის პრევენციის ცენტრი - 15 თებერვალი, 2015 წელი
	თემურ ცქიტიშვილი	საფრთხის შექმნის დასჯადობა ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, მოხსენება გაკეთდა ქართულ-გერმანულ კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა სისხლის სამართლის პრობლემებს	ქართულ-გერმანული კონფერენცია სისხლის სამართალში ჩატარდა მიმდინარე წლის 9-10 ოქტომბერს, თსუ-ს 1-ლ კორპუსში, ჭავჭავაძის №1
	თემურ ცქიტიშვილი	დამნაშავის წარსული ნასამართლობის მნიშვნელობა პროპორციული სასჯელის შესაფარდებლად, მოხსენება გაკეთდა სიმპოზიუმზე, რომელიც ჩატარდა სისხლის სამართალში	სისხლის სამართლის სიმპოზიუმი ჩატარდა მიმდინარე წლის 12 ნოემბერს, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში, ქ. თბილისი, გ. ქიქოძის №3
	თემურ ცქიტიშვილი	სასჯელის პროპორციულობა, მოხსენება გაკეთდა კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა პროფესორ თინათინ წერეთლის 110 წლის იუბილეს	პროფესორ თ. წერეთლის 110 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ორდღიანი კონფერენცია ჩატარდა მიმდინარე წლის 24-25 ნოემბერს, თსუ-ს 1-ლ კორპუსში, ჭავჭავაძის №1
	ირინე ხერხეულიძე	„არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის მიმოხილვა, ეფექტური ინტერვენციები და ტენდენციები საერთაშორისო გამოცდილების ფონზე“	საერთაშორისო კონფერენცია „არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაცია - გზა ევროპისაკენ“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო, 29-30 აპრილი, 2015

	ირინე ხერხეულიძე	“აუცილებელი მოგერიების ფარგლები ქართული და ანგლო-ამერიკული კანონმდებლობის მიხედვით”	ქართულ-გერმანული კონფერენცია სისხლის სამართალში “სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიან ევროპაში”, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო, 8-10 ოქტომბერო, 2015
	ირინე ხერხეულიძე	სისხლისსამართლებრივი შეცდომის საკითხი გერმანიის და ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობის მიხედვით	თინათინ წერეთლის 110 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენცია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო, 24-25 ნოემბერი, 2015
	ანრი ოხანაშვილი	„პირის პირადი პასუხისმგებლობა (ავტონომიის პრინციპი) და მისი გავლენა შუალობით ამსრულებლობაზე“	8-11 ოქტომბერი 2015 წ., ქ. თბილისი, ქართველ და გერმანელ სისხლის სამართლის მეცნიერ-იურისტთა მეორე პროფესიული შეხვედრა (Strafrechtslehrertagung) სახელწოდებით: „სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიან ევროპაში“ („Strafrechtswissenschaft in einem vereinten Europa“)
	მზია ლეკვეიშვილი	განაჩენის დასაბუთების კომისიის სხდომა	2015 წლის 12 იანვარი, თბილისი
	მზია ლეკვეიშვილი	სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, დასაბუთებულობისა და სტილისტიკური გამართულების თაობაზე სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმისა და სასამართლო რეფორმის გაერთიანებული სამუშაო ჯგუფების შეხვედრა	2015 წლის 5 თებერვალი, თბილისი

		არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პროექტთან დაკავშირებით	
	გურამ ნაჭყებია	„ბრალისა და მისი ფორმების ერთიანობის პრობლემა სასამართლოში“, (გულგრილობის ცნება ბრალის ფორმების პრობლემატიკაში)	საერთაშორისო კონფერენციაზე „მართლმსაჯულების აქტუალური პრობლემები და მათი დაძლევის გზები“, 2015წ-ს 15 ივნისი
	გურამ ნაჭყებია	„დანაშაულის თავიდან აცილება, როგორც სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ძირითადი ამოცანა“	მოხსენება ქართულ-გერმანულ კონფერენციაზე „სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიან ევროპაში“,8-10 ოქტომბერი, 2015 წელი, თბილისი
	გურამ ნაჭყებია	„ლიბერალიზმი, როგორც პოლიტიკური დოქტრინა„	კონფერენციაზე: „ლიბერალიზმის ტენდენციები ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობაში“, 2015 წლის 3 ნოემბერი
	გურამ ნაჭყებია	მოხსენება პროფ. თინათინ წერეთლის დაბადებიდან 110-ე წლისთავთან დაკავშირებით გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე	2015 წლის 12 ნოემბერს, (წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი)
		„დანაშაულის ცნების გენეზისური მოდელი და მისი მნიშვნელობა“	მოხსენება თინათინ წერეთლის 110-ე წლის იუბილისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე, 2015 წლის 24-25 ნოემბერი, თბილისი; (თსუ)
	ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი	არასრულწლოვანთა დანაშაულის სისხლისსამართლებრივი შედეგები გერმანულ სისხლის სამართალში	29-30 აპრილი, 2015, თბილისი

	ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი	«შენიშვნები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსზე»	2015 წლის ივნისი, თბილისი
	ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი	«თინათინ წერეთლის მარადიული კონცეფციები»	2015 წლის 24 ნოემბერი, თბილისი
	ნინო გვენეტაძე	საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, ახალი შესაძლებლობები მოსამართლეებისათვის	29-30 აპრილი, 2015, თბილისი
	ედიშერ ფუტკარაძე	სასჯელის საკითხი საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაში	თ. წერეთელი და ვ. მაყაშვილი - 110, სიმპოზიუმი სისხლის სამართალში, 2015 წ. 12 ნოემბერი, ქ. თბილისი
	თამარ ებრალიძე	მექრთამეობის კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის სრულყოფისათვის	პროფ. თინათინ წერეთლის დაბადების 110 წლისადმი მიძღვნილ კონფერენცია, თბილისი, 2015

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

ანოტაცია ნონა თოდუას **პირველ მოხსენებაზე:**

აქ განხილულია ისეთი საკამათო და პრაქტიკულად მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა თანაამსრულებლის გამიჯვნა თანამონაწილისაგან. ამ საკითხის სწორად გადაწყვეტაზე დამოკიდებულია, მოხდება თუ არა ქმედების კვალიფიკაცია, როგორც დანაშაული, ჩადენილი ჯგუფურად. მოხსენებაში განხილულია სხვადასხვა თეორიები და ასევე ის, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ქვეყნის საკანონმდებლო ბაზას ამ საკითხის გადაწყვეტაში. საკითხი განხილულია საქართველოსა და გფ სს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზის საფუძველზე.

ანოტაცია ნონა თოდუას **მეორე მოხსენებაზე:**

აქ განხილულია ისეთი სადაო საკითხი, რომელსაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მოხელის ქმედების სწორად კვალიფიკაციისათვის. კერძოდ, როგორ დაკვალიფიცირდეს ქმედება, როცა მოხელე იყენებს წამების ხერხს, რათა მიიღოს მისთვის სასურველი ჩვენება? სახეზეა წამების დამამძიმებელი გარემოება, თუ სამოხელეო დანაშაული – ჩვენების მიცემის იძულება? ასევე განხილულია საკითხი – თუ შეიძლება წამება ან წამების მუქარა განხილულ იქნეს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებად/ ანდა თუ შეიძლება წამების მუქარა განხილულ იქნას ბრალის გამომრიცველ გარემოებად?

ანოტაცია ნონა თოდუას **მესამე მოხსენებაზე:**

არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს

თანაამსრულებლობის შესაძლებლობის საკითხს შერეული უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულში, რადაგან ამის გადაწყვეტაზე დამოკიდებულია ის, თუ დაკვალიფიცირდება ეს ქმედება, როგორც ჩადენილი ჯგუფურად. მოსხენებაში გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ დასაბუთებულია, რომ შერეული უმოქმედობისას შეუძლებელია თანაამსრულებლობა, არამედ შესაძლებელია მხოლოდ პარალელური ამსრულებლობა. ამდენად, შეუძლებელია ამგვარი ქმედების კვალიფიკაცია, როგორც ჩადენილი ჯგუფურად.

ანოტაცია ლალი ფაფიაშვილის პირველ მოხსენებაზე:

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საკონსტიტუციო კონტროლის სახე, თავისებურება და ფარგლები, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების უზრუნველყოფის მექანიზმები, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციური კონტროლის სფეროში დამკვიდრებული ახლებური მიდგომების ანალიზი, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა უშუალო ეფექტი სისხლის სამართალწარმოებაზე, პოზიტიური და ნეგატიური საკანონმდებლო კონტროლის ელემენტების თანაფარდობა და უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის ანალიზი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებსა და პრაქტიკაში.

ანოტაცია ლალი ფაფიაშვილის მეორე მოხსენებაზე:

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში პირისათვის თავისუფლების შეზღუდვის დასაშვებობის კრიტერიუმების ანალიზი, კანონმდებლობის განჭვრეტადობის და სამართლებრივი სიცხადის პრობლემა საქართველოს კანონმდებლობაში, დაკავების და საპოლიციო შეჩერების კანონმდებლობის კონსტიტუციურობის კრიტერიუმები.

ანოტაცია ლალი ფაფიაშვილის მესამე მოხსენებაზე:

პატიმრობის როგორც აღკვეთის ღონისძიების გამოყენების კონსტიტუციურობის კრიტერიუმები, პატიმრობის საერთო ხანგრძლივობის ათვლის წესი და ვადის გონივრულობის კრიტერიუმები, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის პრაქტიკული რეალიზების პრობლემა სასამართლო და საგამოძიებო პრაქტიკაში.

ანოტაცია გიორგი თუმანიშვილის მოხსენებაზე:

მოხსენებაში განხილულ იქნა სისხლის საპროცესო სამართლში მწვავედ დასმული ისეთი საკითხი, როგორიცაა ბრალდების ფარგლები და ბრალდებისგან გადახრის სამართლებრივი შედეგები. მოხსენების ფარგლებში იქნა მიმოხილული ეროვნული და უცხოური სასამართლო პრაქტიკა. ამასთან გამოითქვა ავტორისეული რეკომენდაციები ზემოხსენებული პრობლემური შემთხვევების გადაჭრასთან დაკავშირებით.

ანოტაცია ნინო გოგნიაშვილის მოხსენებაზე:

მოხსენება შეხება კრიმინალისტიკის როლსა და მნიშვნელობას დანაშაულის გამოძიებასა და გახსნის პროცესში. ცალკეული სახის კვლების აღმოჩენა – ამოღების ხერხებსა და მეთოდებს რომელთა როლი დანაშაულის გახსნის პრცესში უმნიშვნელოვანესია. ასევე კრიმინალისტიკური ტექნიკური საშუალებების განვითარებას, იმ საიხლეებს რაც ამ მიმართულებით ინერგება როგორც მსოფლიოს ყველაზე მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ასევე საქართველოში.

ანოტაცია ირინე ხერხეულიძის პირველ მოხსენებაზე:

მოხსენებაში გაანალიზებული იქნა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მნიშვნელოვანი კომპონენტი - აღიარებული არამარტო საქართველოს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიით, არამედ ასევე საერთაშორისო გამოცდილებით. შეფასებული იქნა პრევენციის სამი დონე: პირველი, მეორე და მესამე დონის პრევენციები და მათი შესატყვისი სამიზნე პროგრამების ეფექტურობა საქართველოს, აშშ-ის და ევროპული გამოცდილების ფონზე. შესაბამისად, აღნიშნული დონეების განსაზღვრის შემდეგ, მსოფლიო მასშტაბით ჩატარებული კვლევების საფუძველზე შეფასდა არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის ჩადენის რისკისა და მისგან დამცავი ფაქტორები, როგორც განმსაზღვრელი კომპონენტები ეფექტური ჩარევის საშუალებების დასადგენად. გათვალისწინებულ იქნა ამ ფაქტორების კუმულაციური ეფექტი, რამდენადაც რისკისა და მისგან დამცველი ფაქტორების ერთობლივი შეფასება საშუალებას იძლევა განისაზღვროს, თუ რა მაჩვენებლებს უნდა დავუკავშიროთ პრევენციის საშუალებების შერჩევა. პრეზენტაციაში ასევე შეფასებული იქნა ინტერვენციის დრულობა, ხარისხი, პროპორციულობა და ადექვატური ინტერვენციის შესაბამისი პროგრამები საერთაშორისო, - ევროპული და ამერიკული კანონმდებლობისა და პრაქტიკის ფონზე, მოხდა მისი შეპირისპირება საქართველოში განსახორციელებელ პრევენციის კუთხით გასატარებელ აქტივობებთან. გაკეთდა დასკვნა, რომ პრევენციული პოლიტიკაა ის ბერკეტი, რაც უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა წარმატებულ რესოციალიზაციას და ემსახურება მთელი საზოგადოების უსაფრთხოებას.

ანოტაცია ირინე ხერხეულიძის მეორე მოხსენებაზე:

მოხსენებაში გაანალიზებული იქნა აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების ფარგლები როგორც ქართულ, და შესაბამისად კონტინენტალური ევროპის სამართლის სისტემის ქვეყნების, ასევე ანგლო-ამერიკულ სამართალის სისტემის ქვეყნების სისხლის სამართალშიც. გაკეთდა დასკვნები ქართული „აუცილებელი მოგერიების ფარგლებს“ და ანგლო-ამერიკული „არასრული აუცილებელი მოგერიებას“ შორის არსებული სხვაობების დადებითსა და უარყოფით მხარეებზე მათი სამართლებრივი შეფასების კუთხით.

ანოტაცია ირინე ხერხეულიძის მესამე მოხსენებაზე:

მოხსენებაში გაანალიზებული იქნა ფაქტობრივი შეცდომა, რომელიც ქმედების შემადგენლობის შეცდომად განიხილება. ამ მიმართებით გაანალიზებული იქნა შეცდომის ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტები, როგორიცაა შეცდომა მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში და მისი მიმართება ე.წ. “dolus generalis”-ს პრობლემასთან, “აცდენილი ისრის” სახელით ცნობილი მოქმედების შედეგად დაშვებული შეცდომის *(aberratio ictus)* სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციის საკითხი, შეცდომა პიროვნებაში *(error in persona)* ან ობიექტთან *(error in objecto)* დაკავშირებით. ასევე, სხვადასხვა თეორიების მიხედვით წარმოჩენილი იქნა სხვაობა ფაქტობრივისა და სამართლებრივ შეცდომას შორის და აღნიშნულ საკითხთან იმ მიდგომებს შორის, რომელსაც გერმანული და აშშ-ის სისხლის სამართლის კანონმდებლობა მიუყვება.

ანოტაცია ანრი ოხანაშვილის მესამე მოხსენებაზე:

მოხსენების ქვეკუთხედს შეადგენდა დანაშაულის უშუალო ამსრულებლის პირადი პასუხისმგებლობის (ავტონომიის) პრინციპი, როდესაც ეს პირი დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების მიღებაში არის თავისუფალი. კერძოდ, მოხსენების ავტორმა

განიხილა აღნიშნული პრიციპის გავლენა დანაშაულის შუალობით ამსრულებლობაზე, თუ, რამდენად არის შესაძლებელი დანაშაულის უშუალო ამსრულებლის პირადი პასუხისმგებლობის დროს, როდესაც იგი საკუთარი ავტონომიის ფარგლებში, ანუ საკუთარი გადაწყვეტილებით მოქმედებს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს მის წამქეზებელ პირს, როგორც ე.წ. უკანა კაცს და შუალობით ამსრულებელს. ავტორმა იმსჯელა იმ კონკრეტულ შემთხვევებზე, თუ როდის არის მოცემული დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა. მოხსენებაში ხაზი გაესვა იმას, რომ საქართველო სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლის შუალობითი ამსრულებლობის დეფინიციას სწორედ პირის პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი უდევს საფუძვლად. გარდა ამისა, მსჯელობა შეეხო საკითხს, თუ რა შემთხვევებში ხდება პირის ავტონომიის პრინციპიდან გადახვევა და რამდენად არის შესაძლებელი ექსტენსიური შუალობითი ამსრულებლობის სისხლისსამართლებრივად დასაბუთება, სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე. მოხსენებაში ავტორი დაეთანხმა ამ პრინიციპიდან გამონაკლისების დაშვებას და ზოგიერთ შემთხვევაში ე.წ. ამსრულბელის უკან მდგომი ამსრულების სამართლებრივი ფიგურის აღიარებას. ავტორმა მოხსენება წარმოადგინა შედარებით-სამართლბერივი ანალიზის ჭრილში, კერძოდ, ძირითადად, ქართული და გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკის შედარებით.

ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხის მოხსენება «არასრულწლოვანთა დანაშაულის სისხლისსამართლებრივი შედეგები გერმანულ სისხლის სამართალში» ეხება გერმანულ სისხლის სამართალში არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებულ სისხლისსამართლებრივ სანქციებს და ქართულ არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში მათი რეცეფციის შესაძლებლობას.

ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხის მოხსენებაში «შენიშვნები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსზე» კრიტიკულად განიხილება ელექტრონული მონიტორინგის პრობლემები და უარყოფითადაა შეფასებული ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვნისათვის არასაპატიმრო სასჯელის ფორმის – ელექტრონულად კონტროლირებული შინაპატიმრობის გამოყენება.

ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხის მოხსენება «თინათინ წერეთლის მარადიული კონცეფციები» ეხება თინათინ წერეთლის შეხედულებას დანაშაულის აგებულებაზე და იმ პარალელებზე, რომლებიც შეიძლება მოინახოს თინათინ წერეთლის იდეებსა და თანამედროვე სისხლის სამართლის ახალ ინსტიტუტებს შორის (ობიექტური შერაცხვა).

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3	ლადო ჭანტურია		**26 იანვარი,** ქ. ბერლინში ბავარიის ფედერალური მიწის წარმომადგენლობის მიერ ორგანიზებული მიუნხენის 51-ე უსაფრთხოების კონფერენციისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმი

			სახელწოდებით „Deutsche Au℁en- und Sicherheitspolitik“
	ლადო ჭანტურია		**19 თებერვალი,** მისასალმებელი სიტყვა ბერლინის კულტურის ინსტიტუტში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „საქართველოს კულტურული სემანტიკა კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონში”
	ლადო ჭანტურია		**26 თებერვალი,** სიმპოზიუმი ბერლინში „სტაბილურობა და უსაფრთხოება სამხრეთ კავკასიაში“ - 3. Symposium "Stabilitეt und Sicherheit im S∇dkaukasus"
	ლადო ჭანტურია		**21-22 აპრილი,** გერმანიის ეკონომიკის აღმოსავლეთის კომიტეტის ორგანიზებით გამართული კონფერენცია სახელწოდებით „East forum Berlin 2015“
	ლადო ჭანტურია		**11-12 ივნისი,** ბერლინი, საერთაშორისო კონფერენცია სახელწოდებით: „20 International Gathering in Berlin“
	ლადო ჭანტურია		**24 აგვისტო,** გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალურ სამინისტროში გამართული კონფერენცია სახელწოდებით „კრიზისი, წესრიგი, ფორმაცია” (Kriese, Ordnung, Gestaltung)
	ლადო ჭანტურია		**7 ოქტომბერი,** ქალაქ ბერლინში კონფერენცია სახელწოდებით „State of Security 2015“

	ლადო ჭანტურია		**4-8 ნოემბერი,** თბილისის საერთაშორისო კონფერენცია სახელწოდებით „საკუთრების უფლების ტრანსფორმაცია პოსტსაბჭოთა ქვეყნებში“
	ლადო ჭანტურია		**9-10 ნოემბერი,** „კოერბერის ფონდის“ (Körber Foundation) ორგანიზებით, ქალაქ ბერლინში გამართული საგარეო პოლიტიკის ბერლინის მე-5 ფორუმი (5. Berliner Forum Außenpolotik)
	ლადო ჭანტურია		**17-18 ნოემბერი,** ბერლინის უსაფრთხოების ყოველწლიური კონფერენცია სახელწოდებით „BSC – Berlin Security Conference“
	ირაკლი ბურდული	History of the Sources of law in Poland and Georgia	28 სექტემბერი - 3 ოქტომბერი ოლშტინი, პოლონეთი
	ირაკლი ბურდული	War and the constitutional state	26 მაისი 2015 წ. ტარანტო, იტალია
	დავით ბოსტოღანაშვილი	რუის-ურბნისის ძეგლიწერა - ორიგინალური ქართული საეკლესიო სამართლის ძეგლი	28.09.2015-03.11.2015 ოლშტინი, პოლონეთი
	მარინა გარიშვილი	საკუთრების უფლების ინსტიტუტი დავით ბაგრატიონის „საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვის“ მიხედვით	პოლონეთი, ქ. ოლშტინი. ვარმია-მაზურების სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015 წლის 30 სექტემბერი. 12 გვერდი
	ლალი ფაფიაშვილი	საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები საერთო სასამართლოების განაჩენებსა და გაჩინებებში	16 ოქტომბერი, 2015 რეგენსბურგი/ ერმანია

	მარიამ ხოფერია	**Woman's property and legal rights at division of kinship family**	**Polish-Georgian Scientific Colloquium V – History of the Sources of Law in Poland and Georgia, 28.09-03.10 2015 Olsztyn, Poland**
	ირინე ხერხეულიძე	Development of anti-trafficking legislation in Georgia – challenges from the perspective of women human rights approach	თუბინგენის უნივერსიტეტი, გერმანია, 21 აგვისტო, 2015
	ანრი ოხანაშვილი	Organisator vs. Organisationstэter? (Zur Anpassung der Beteiligungsformen auf illegalen Organisationen nach deutschem und georgischem Strafrecht), ორგანიზატორი vs. ამსრულებელი ორგანიზაციული სისტემის მეშვეობით? (არალეგალურ ორგანიზაციებზე თანამონაწილეობის ფორმების გამოყენებისთვის გერმანული და ქართული სისხლის სამართლის მიხედვით), (მოხსენება გერმანულ ენაზე)	21-22 თებერვალი 2015 წ., ქ. ვიტენბერგი, ერმანია
	ლელა ჯანაშვილი	Desafios de la seguridad en la zona de Caucaso	ფლორენციის უნივერსიტეტი (იტალია) 12-13 თებერვალი “გლობალური უსაფრთოხების გამოწვევები”
	ლელა ჯანაშვილი	“Las Relaciones Internacionales despues de la segunda Guerra Mundiual y nueva mapa Europea”	ბარის უნივერსიტეტი (იტალია) 25 მაისი
	ლელა ჯანაშვილი	“La organizacion teritorial del estado de Georgia”	ბარსელონას ავტონომიური უნივერსიტეტი (ესპანეთი) 25 ივლისი
	ედიშერ ფუტკარაძე	The Issues of Sentencing	The New Approaches to Sanctions in the Criminal Law Systems in Iran and Germany,

	ედიშერ ფუტკარაძე	Rechtsregelung der Strafe und Rechtspraxis in Georgien	11-15 May, 2015, Tehran, Iran 2 nd Criminal Law Reforms Congress, 30 May-6 June, 2015, Istanbul, www.criminallawreforms.org

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

დავით ბოსტოღანაშვილის მოხსენება ეხება რუის-ურბნისის საეკლესიო ძეგლისწერის ნორმების შედარებით ანალიზს მსოფლიო საეკლესიო კრებების გადაწყვეტილებებში მოცემულ ნორმებთან.

მარინა გარიშვილის მოხსენებაში განხილულია საქართველოში არსებული კერძო საკუთრების უფლების სახეები, მათი წარმოშობი, შეზღუდვის, შეწყვეტის გზები; საკუთრების უფლების დაცვის საშუალებები; ქონების გაყოფისა და კვლავ შეერთების გზები და სამართლებრივი შედეგები.

ლალი ფაფიაშვილის მოხსენებაში განხილულია ირიბი ჩვენების ბრალდების და განაჩენის დასაბუთებისათვის გამოყენების აკრძალვის შესახებ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გავლენა სამართალწარმოებაზე. ირიბი ჩვენების გამოყენების ადმინისტრაციული პრაქტიკის ანალიზი, ირიბი ჩვენების არსი და მასთან დაკავშირებული საფრთხეები სამართლიანი სასამართლოს უფლების პრაქტიკული რეალიზებისათვის, ირიბი ჩვენების გამოყენების ფარგლები და დასაშვები შემთხვევები, კონკრეტული წინადადებები ირიბი ჩვენების მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფისათვის.

ირინე ხერხეულიძის მოხსენება ეხებოდა საქართველოში ტრეფიკინგთან ბრძოლის წინააღმდეგ მიღებულ კანონმდებლობას, მიმდინარე სამოქმედო გეგმას და იმ სიძნელეებს, რომლებიც ჯერ კიდევ დგას ქვეყნის წინაშე ტრეფიკინგის დანაშაულის დაძლევის თვალსაზრისით ქალთა უფლებების დაცვის პერსპექტივიდან. ყურადღება იქნა გამახვილებული სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებაზე ებრძოლოს ტრეფიკინგის დანაშაულს იმით, რომ მიიღოს და გააძლიეროს ზომები სექსუალურ ექსპლუატაციაზე, იძულებით შრომაზე თუ სამსახურზე, მონობაზე და მონობის მსგავს პრაქტიკაზე, მომსახურებასა და ორგანოების ამოცლაზე მოთხოვნის შესუსტების მიზნით. პრეზენტაციაში ხაზი გაესვა ამგვარი "მოთხოვნის" შემცირების მნიშვნელობას თავად ტრეფიკინგის პრევენციისთვის და მასთან საბრძოლველად არამარტო საქართველოს, არამედ საერთაშიროსო – ევროპისა და აშშ-ის დონეზე. ე.წ. შვედური მოდელის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა შესაბამისი რეკომენდაციები ქალთა სქესობრივი ექსპლუატაციის შემცირების საკანონმდებლო გზების ძიების თვალსაზრისით.

ანრი ოხანაშვილის მოხსენების არსი მდგომარეობდა ქართულ სისხლის სამართალში არსებული სამართლებრივი ფიგურის - დანაშაულის ორგანიზატორისა და გერმანულ სისხლის სამართალში განვითარებული სამართლებრივი ინსტიტუტის - ამსრულებელი დანაშაულის ორგანიზაციული ბატონობის მეშვეობით, შედარებით ანალიზში. მოხსენების ფარგლებში ავტორმა შეადარა დასახელებული ორი სამართლებრივი ინსტიტუტი შემდეგი სისხლისსამართლებრივი ასპექტებით: 1. მათი წარმოშობის ისტორიით; 2. მათთვის დამახასიათებელი ნიშნებითა და 3. მათ სისხლისსამართლებრივი მეთოდოლოგიურ-დოგმატიკური თვალსაზრისით. მოხსენებაში ავტორი მივიდა დასკვნამდე, რომ ეს ორი სამართლებრივი ფიგურა დანაშაულის ამსრულებლობის გამოვლენის სხვადასხვა შემთხვევებს არეგულირებს.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	„საარჩევნო სისტემის განვითარების პერსპექტივები საქართველოში“	ნანა ჭიღლაძე	ვასილ გონაშვილი	თსუ
	ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სამართლის რეფორმა	პაატა ტურავა	პაატა ტურავა ნათია წკეპლაძე ირმა ხარშილაძე კობა ყალიჩავა	ღია საზოგადოება საქართველო
	ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კანონი	პაატა ტურავა	პაატა ტურავა ანა რუხაძე	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება
	საჯარო სამსახურის შესახებ კანონის შექმნა	საჯარო სამსახურის ბიურო	პაატა ტურავა (სამუშაო ჯგუფი)	ევროკავშირი
	ტყის კოდექსის შექმნა	გარემოს დაცვის სამინისტრო	პაატა ტურავა მერაბ დვალი	მსოფლიო ბანკი
	ქართული კაპიტალის ბაზრის სამართლის გამოწვევები, კერძო სამართალი	ირაკლი ბურდული	ირაკლი ბურდული	უცხოური გრანტი (DAAD)
	საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, დარგი - სისხლის სამართალი	ABA ROLI	ლ. ფაფიაშვილი, გ. თუმანიშვილი, დ. კვაჭანტირაძე, ლ. ლიპარტელიანი, გ. დადეშქელიანი, შ. გუნცაძე, ნ. მეზვრიშვილი, ლ. თოლორაია	ABA ROLI და აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამების ბიურო

	პროფ. ივანე სურგულაძის გამოუქვეყნებელი ძველი ქართული სამართლის ისტორიის ნაშრომების ტექსტის აკრეფა, რედაქტირება, წყაროებთან შედარება	ნუგზარ სურგულაძე	პროფ. გიორგი დავითაშვილი, ასოც. პროფ. მარინა გარიშვილი, ასოც. პროფ. დავით ბოსტოღანაშვილი	თსუ ადგილობრივი გრანტი
	ბექას სამართლის წიგნი	ნუგზარ სურგულაძე	ნუგზარ სურგულაძე, მარინა გარიშვილი, მარიამ ხოფერია, დემეტრე ეგნატაშვილი, თორნიკე ნემსწვერიძე	თსუ გრანტი
	ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების პროგრამის ფარგლებში მომზადებული კრებული, რომელიც ეძღვნება კონსტიტუციის 20 წლისთავს	ვაკო ნაცვლიშვილი	ქეთევან ერემაძე სხვა ავტორებთან ერთად	ფონდი “ღია საზოგადოება საქართველო”
	პირველი ინსტანციის სასამართლოს ოპტიმიზაციის ზოგიერთი ასპექტი (სისხლის სამართლის პროცესი)	კვლევა მომზადებულია “სისხლის სამართლის რეფორმების ხელშეწყობა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით“ ფარგლებში, განმახორციელებელი „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისი	ირინა აქუბარდია	ევროკავშირის დაფინანსებით

	ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდიფიკაცია სისხლის სამართალში. *სამართალმცოდნეობა, სისხლის სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი.*	დასაწყისში – მერაბ ტურავა, შემდეგ – ირაკლი დვალიძე	მერაბ ტურავა, ირაკლი დვალიძე, გიორგი დგებუაძე, ლევან ხარანაული, დავით სულაქველიძე	ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“ პროექტის/ხელშეკრულების №HR/05/14-19809
	ჩვეულებითი სამართლის მოქმედება თანამედროვე ბალსზემო სვანეთში, თსუ იურიდიული ფაკულტეტი, სამართლის ისტორიის მიმართულება	გიორგი დავითაშვილი	გ. დავითაშვილი დ. ბოსტოღანაშვილი ს. ონიანი თ. მახარაძე გ. ფერაძე	ადგილობრივი
	„საქართველოს სამოქალაქო სამართლის საფუძვლები ქართულ სასამართლო პრაქტიკაში“ (კერძო სამართლის მიმართულება)	თამარ ზარანდია	ი. ბურდული, ლ. ჭანტურია, თ. ზარანდია, გ. ცერცვაძე, თ. ზოიძე, ნ. ჩიტაშვილი	თსუ შიდასაფაკულტეტო სამეცნიერო გრანტი
	“Effect of crime of trafficking on women human rights and combating with it in the light of the universal international acts”, სისხლის სამართალი, ქალთა უფლებები.	ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის პროფესორი Prof. Dr. Martin Heger	ირინე ხერხეულიძე	DAAD

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლობრივი კომენტარი განკუთვნილია სისხლის სამართლის სფეროში მოღვაწე პრაქტიკოსი და მეცნიერი იურისტებისათვის, ხელს შეუწყობს ადმინისტრაციული/ სასამართლო პრაქტიკის და კანონმდებლობის სრულყოფას, ერთგვაროვანი სასამართლო და საგამოძიებო პრაქტიკის ჩამოყალიბებას. ეს არის 1998 წლის სსსკ-ის პირველი სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი. კომენტარში საკითხის განხილვა ემყარება ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა ანალიზს.

ანოტაცია პროექტზე - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდიფიკაცია სისხლის სამართალში

საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის რეფორმირების კუთხით, მაგრამ ეს რეფორმა ნაკლებად შეეხო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სამართალს.
საქართველოში დღეს მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (1984 წ.) აშკარად მოძველებულია. იგი საბჭოთა ეპოქაშია მიღებული და არ

პასუხობს თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფოს მოთხოვნებს. ჯერ კიდევ 1999 წელს, საქართველოს მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის რატიფიკაციის დროს, ნათელი იყო, რომ ეს კოდექსი აშკარად არ შეესაბამებოდა ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებს და იმთავითვე დღის წესრიგში იდგა ამ სფეროში რადიკალური რეფორმების გატარების აუცილებლობა. დღეს ბოლომდე არ არის გარკვეული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სამართლის ადგილი ქართული სამართლის სისტემაში. ამ სფეროში თავს იჩენს შემდეგი პრობლემები:

1. დღეს საქართველოში რეპრესიული ხასიათის იძულებით ღონისძიებებს შეიცავს როგორც სისხლის სამართლის კოდექსი, ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. ამასთან, შეიძლება ითქვას, რომ არ არის კარგად გამიჯნული ერთმანეთისაგან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სფეროში პასუხისმგებლობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, რის გამოც აუცილებელია არსებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ორკვალიან სისტემაზე გადასვლა. ნაწილი სამართალდარღვევებისა უნდა მოექცეს ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სფეროში, ხოლო ნაწილი უნდა გადავიდეს სისხლის სამართალში სისხლისსამართლებრივი გადაცდომების (წვრილმანი დანაშაულების) სახით. ამისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს კოდიფიკაციის მეთოდი და სპეციალური კანონი იქნეს მიღებული ან ცალკეულ დარგობრივ კანონებში იქნეს შეტანილი სისხლისსამართლებრივი გადაცდომის მუხლები. შესაბამისად უნდა დარეგულირდეს თანამდევი სამართლებრივი შედეგები, მაგალითად, სისხლისსამართლებრივი გადაცდომა არ უნდა იწვევდეს ნასამართლობას.
2. მოქმედი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი არ შეიცავს იმ პროცესუალურ სტანდარტებს, რომელიც აუცილებელია ადამიანის უფლებათა ეფექტიანი დაცვის განსახორციელებლად.
3. მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი შეიცავს არაერთ ნორმას, რომელიც თავისი შინაარსით უნდა წარმოადგენდეს არა დანაშაულს, არამედ გადაცდომას. ამიტომ უნდა მოხდეს მათი გადატანა სისხლისსამართლებრივი გადაცდომების (წვრილმანი დანაშაულების) შესახებ სპეციალურ კანონში ან ცალკეულ დარგობრივ კანონებში.
4. სისხლისსამართლებრივი გადაცდომების (წვრილმანი დანაშაულების) შესახებ სპეციალური კანონის შემუშავება ან ცალკეულ სისხლისსამართლებრივ დარგობრივ კანონებში სისხლისსამართლებრივი გადაცდომების გადატანა შესაბამისობაში იქნება თანამედროვე ევროპულ სტანდარტებთან. სპეციალური კანონის შემუშავება ხელს შეუწყობს სამართლის ორი დარგის: ზოგადი ადმინისტრაციული სამართლისა და სისხლის სამართლის სისტემურად სწორად გამიჯვნას ადმინისტრაციული სამართალდარღვევების სფეროში. ეს ხელს შეუწყობს ასევე მთელ რიგ ქმედებათა დეკრიმინალიზაციას და მათ გატანას სისხლის სამართლის კოდექსიდან.
5. სერიოზულ გადამუშავებას მოითხოვს სისხლისსამართლებრივ გადაცდომათა ცალკეული შემადგენლობები და მათთვის გათვალისწინებული სანქციები. იგი შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი სისხლის სამართლის კოდექსში მოცემულ შემადგენლობებთან და სანქციათა სისტემასთან.
6. სისხლისსამართლებრივი გადაცდომის ცნების, სისტემისა და ცალკეული ელემენტების განსაზღვრასთან ერთად, სწორად უნდა განისაზღვროს პასუხისმგებლობის მიზნები. იგი ორიენტირებული უნდა იყოს პრევენციასა და გადაცდომის ჩამდენის მიერ ზიანის ანაზღაურებაზე. განსაზღვრას მოითხოვს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი, თუ რამდენად მისაღებია, რომ გამონაკლის შემთხვევებში სისხლისსამართლებრივი გადაცდომისათვის შესაძლებელი იყოს ე.წ. მკაცრი პასუხისმგებლობის პრინციპის *(სტრიცტ ლიაბილიტყ)* შემოღება, რომელიც გამოიყენება ანგლო-ამერიკულ სისხლის

სამართალში.

პროექტის განსახორციელებლად გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი ამოცანები:

- არსებული საკანონმდებლო და პრაქტიკული პრობლემის იდენტიფიკაცია და ანალიზი, რომელიც გულისხმობს არსებული მდგომარეობის შეფასებას და ხარვეზების გამოვლენას. მუშაობის პროცესში მოხდება სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებში არსებული მოსაზრებებისა და რეკომენდაციების შესწავლა და ანალიზი;
- ანალიზისა და შეფასების საფუძველზე მოპოვებული ინფორმაციის დამუშავება ხელს შეუწყობს კვლევის ჩატარებას, რომელიც აისახება შესაბამის დასკვნებსა და რეკომენდაციებში;
- ანალიზის საფუძველზე სათანადო რეკომენდაციების შემუშავება ხელს შეუწყობს თანამედროვე სტანდარტების დანერგვას და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სამართლის ბაზაზე მოხდება განვითარების ისეთი კონცეფციის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს ადმინისტრაციული სისხლის სამართლის (სისხლისსამართლებრივ გადაცდომათა) ინტეგრაციას სისხლის სამართლის სფეროში. კონცეფცია უნდა მოიცავდეს სხვადასხვა ალტერნატივებს (მაგალითად, სრული კოდიფიკაცია, დარგობრივ კანონმდებლობაში იმპლემენტაციის მოდელი და ა.შ.);
- ადმინისტრაციული სისხლის სამართლის (სისხლისსამართლებრივ გადაცდომათა ნორმების) პროექტის ადვოკატირების ხელშეწყობა.

მომზადებული კონცეფცია და კანონპროექტი წარედგინება ყველა დაინტერესებულ სახელმწიფო უწყებას, არასამთავრობო ორგანიზაციას, აკადემიურ პერსონალს მისი საქართველოს კანონმდებლობაში შემდგომი იმპლემენტაციის მიზნით.

მატერიალური ნაწილისთვის:

სისხლისსამართლებრივ გადაცდომათა კოდექსის მატერიალურ ნაწილში გათვალისწინებულია როგორც საქართველოს სამართლებრივი სივრცისთვის ტრადიციულად ნაცნობი დებულებები, ისე თანამედროვე ცივილიზებული ქვეყნების კანონმდებლობებით აღიარებული პრინციპებები და სხვა საკანონმდებლო რეგულაციები. წინამდებარე კოდექსის მატერიალურ ნაწილში (ზოგად და კერძო ნაწილში) ახლებურად არის გააზრებული შემდეგი საკითხები:

- კანონიერების პრინციპის განუხრელი დაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტია კანონის უკუძალის რაციონალური რეგულაცია. კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, ახალ კანონს, რომელიც ამსუბუქებს სახდელს, არა აქვს უკუძალა, თუ ამ გადაცდომისთვის პირს უკვე დაკისრებული აქვს სახდელი. მაშასადამე, უპირატესობა მინიჭებულია ქვს უკვე ძალაში შესული გადაწყვეტილების „სტაბილურობაზე“.
- კოდექსში იმპერატიულად არის მითითებული, რომ პასუხისმგებლობა გამოირიცხება საზღვარგარეთ ჩადენილი გადაცდომისთვის თუ კი ამ ქმედებისთვის პირს უკვე დაკისრებული ჰქონდა პასუხისმგებლობა;
- პასუხისმგებლობის საფუძველი წარმოდგენილია სამსაფეხურიანი სისტემის მიხედვით: **ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა** და **ბრალი**. გამონაკლისის სახით, დაწესებულია პასუხისმგებლობა ბრალის გარეშეც. კერძოდ, მსუბუქი გადაცდომისთვის პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს ობიექტური გაუფრთხილებლობის შემთხვევაშიც;
- ახლებურად არის გააზრებული განზრახვისა და გაუფრთხილებლობის დეფინიციები, საიდანაც ნათალად იკვეთება, რომ ისინი არ წარმოადგენენ ბრალის ფორმებს;
- სისხლისსამართლებრივ გადაცდომათა სამ კატეგორიად დაყოფას გააჩნია

თავისი პრაქტიკული დანიშნულება. მაგალითად, კატეგორიებზეა მიბმული საპროცესო წარმოების ფორმები, მცდელობის დასჯადობა და ა.შ.

- მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველი ტრადიული გარემოებანი, რომლებიც ცნობილია სისხლის სამართლისთვის, კოდექსში გადმოცემულია ბლანკეტური ნორმების სახით. რაც შეეხება შეცდომას, აქ რეგულაციები მოცემულია, როგორც ფაქტობრივ, ისე იურიდიულ შეცდომაზე. პასუხისმგებლობის ასაკად მიჩნეულია თექვსმეტი წელი. ამასთან, შეზღუდული შერაცხადობა, რომელიც არასრულწლოვნებთან მიმართებით მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების დისპოზიციურ მოთხოვნად არის წარმოდგენილი, სისხლისსამართლებრივ გადაცდომათა კოდექსში იმპერატიული სახითაა გადმოცემული;
- კატეგორიულად არის უარყოფილი გადაცდომის მომზადების დასჯადობა, ხოლო პასუხისმგებლობა დადგენილია მხოლოდ მძიმე კატეგორიის გადაცდომის მცდელობისთვის. მნიშვნელოვან სიახლეს შეიცავს გადაცდომაზე ნებაყოფლობით ხელის აღება. კერძოდ, კრიტიკულ სიტუაციაში, როდესაც მართალია, გადაცდომის ჩამდენის აქტიური მოქმედებით არ მომხდარა შედეგის თავიდან აცილებული, თუმცა გადაცდომის ჩამდენის მიერ განხორციელებული სუბიექტური წარმოადგენით საკმარისი, მაგრამ ობიექტურად არასაკმარისი, სამაშველო ღონისძიება იქნა განხორციელებული, პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება მაინც სახეზეა. მაშასადამე, აქცენტი გადატანილია გადაცდომის ჩამდენის სუბიექტურ ნებაზე, რომელიც კანონმდებლის მიერ მოწონებას იმსახურებს, რადგან პირის მიერ უარყოფილია სამართლისადმი მტრული დამოკიდებულება და იგი კვლავ კანონის ერთგულად გვევლინება;
- რაც შეეხება თანამონაწილეობას, აქ უარყოფილია თანამონაწილეობის დუალისტური მოდელი და უპირატესობა აქვს მინიჭებული მონისტურ მოდელს. ამგვარი მიდგომა განპირობებულია სისხლისსამართლებრივი გადაცდომის ნაკლები საშიშროებითა და ქმედების სისხლისსამართლებრივ გადაცდომად კვალიფიკაციის საკითხში პროცედრული სიმარტივისთვის;
- კოდექსში გადაწყვეტილია გადაცდომათა, გადაცდომათა და დანაშაულთა კონკურენციის საკითხები. ასევე ახლებურად არის მოაზრებული განმეორებითობა. წინამდებარე კოდექსის კერძო ნაწილში მაკვალიფიცირებელი გარემოების სახით აღარ იქნება მოცემული არაერთგზისობა. განმეორებითობისთვის პასუხისმგებლობის დამძიმების ვალდებულება ზოგად ნაწილშია მოცემული მხოლოდ მძიმე სისხლისსამართლებრივი გადაცდომისთვის.
- დღეს მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისგან განსხვავებით სისხლისსამართლებრივ გადაცდომათა კოდექსში მოცემულია სახდელთა უფრო მეტი სახეობა, რომელთა გვერდით ასევე წარმოდგენელია ზემოქმდების ღონისძიებანი. რადიკალური ცვლილებებია ქართული კანონმდებლობისთვის ტრადიულად კარგად ცნობილ სახდელებშიც. მაგალითად, ჯარიმა წარმოდგენილია ორი ვარიაციით: ფიქსირებული და პროპორციული ჯარიმა, პატიმრობის ნაცვლად მოცემულია ტუსაღობა, რომელიც ასევე ნოვაციური დეტალებით გამოირჩევა.
- რაც შეეხება კერძო ნაწილს, აქ უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, გადაცდომათა ახლებურად გაერთიანება სხვადასხვა თავებში, ცალკეულ შემადგენლობებში შეტანიალია ცვლილებები (მაგალითად, დისპოზიციის შინაარსობრივი ცვლილება, შემადგენლობათა გაერთიანება, სისხლის სამართლის კოდექსიდან ზოგიერთი შემადგენლობის გადმოტანა და ა.შ.)

საბოლოოდ, სისხლისსამართლებრივ გადაცდომათა კოდექსის მატერიალური ნაწილის შესახებ დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ პროექტის შემუშავებისას საქართველოს კანომდებლობაში განხორციელებული ცვლილებებისა (მაგალითად, არასრულწლოვანთა მართლსაჯულების კოდექსის შემუშავება და მისი შემდგომი

ამოქმედება) და სხვა ობიექტური თუ სუბიექტური მოსაზრებების ფონზე კვლავ შესაძლებელია წარმოდგენილ კოდექსში როგორც პრინციპული, ისე ტექნიკური ხასიათის ცვლილებების შეტანა.

გადაცდომის საქმეთა საპროცესო წარმოების მოკლე მიმოხილვა

სხვადასხვა კატეგორიის გადაცდომასთან დაკავშირებულ საქმეთა საპროცესო წარმოების სისტემის აგებისას პროექტის ავტორები ითვალისწინებდნენ შემდეგ არსებით გარემოებებს:

1. ამჟამად მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებულ გადაცდომათა დაახლოებით 60–70% თავისი ბუნებით სისხლისსამართლებრივი ხასიათისაა, რის გამოც ისინი გადატანილ უნდა იქნეს სისხლისსამართლებრივ გადაცდომათა კოდექსში. ამასთან, პერსპექტივაში აქვე უნდა იქნეს გადმოტანილი ასევე ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსიდან ნაკლებად მძიმე კატეგორიის ზოგიერთი ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელი ანდა თავისუფლების აღკვეთა, ვადით არაუმეტეს ერთი წლისა, ამ უკანასკნელის ისეთი დელიქტებისგან განტვირთვის მიზნით, რომელთა თაობაზე სისხლის–სამართლებრივი დევნის განხორციელება და საამისოდ სოლიდური ხარჯების გაწევა არაადეკვატური იქნებოდა მათი საშიშროების დაბალი ხარისხიდან გამომდინარე. ყოველივე ეს, თავის მხრივ, აუცილებლად გამოიწვევს დიდი რაოდენობით გადაცდომათა საქმეების წარმოების გახსნას. ყველა ამ საქმეების აბსოლუტური უმრავლესობის გამოსაძიებლად პოლიციის საგამოძიებო სამსახურისათვის გადაცემა (ამ საქმეების მხოლოდ მცირე ნაწილი მოხვდებოდა სხვა უწყებების საგამოძიებო სამსახურების ხელში) უეჭველად გამოიწვევდა ისედაც მაქსიმალურად დატვირთული ამ სამსახურის კიდევ უფრო გადატვირთვას, რაც ფაქტობრივად შეუძლებელს გახდიდა ყველა გადაცდომაზე კანონით გათვალისწინებულ რეაგირებასა და დევნის განხორციელებას, საქმეების ეფექტურად წარმოებასა და მათზე ადეკვატური მართლმსაჯულების განხორციელებას. ანალოგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა პროკურატურის ორგანოებიც. ეს კი განაპირობებდა სისხლისსამართლებრივ გადაცდომათა კოდექსის ფაქტობრივ უმოქმედობასა და ასეთი გადაცდომების პრევენციის სრულ ანულირებას. ამის გამო პროექტის ავტორებმა ჩათვალეს, რომ მიზანშეწონილია სისხლისსამართლებრივ გადაცდომათა საქმეები საწარმოებლად გადაეცეს შესაბამის სახელმწიფო უწყებებსა და სხვა უფლებამოსილ საჯარო სამსახურებს მათი პროფილის შესაბამისად, მათ შორის პოლიციის შესაბამის სამსახურებსაც, რომლებიც უფრო ადვილად მოახერხებენ შედარებით ბევრად მცირე ოდენობის მხოლოდ მათი პროფილის საქმეებთან გამკლავებას, რაც მთლიანობაში ხელს შეუწყობს სისხლისსამართლებრივ გადაცდომათა კოდექსის რეალურ ფუნქციონირებას.

2. პროექტის მიხედვით აღნიშნული საქმეების საწარმოებლად აუცილებელი არ იქნება შესაბამის სახელმწიფო უწყებებსა და საჯარო სამსახურებში სპეციალური საგამოძიებო სამსახურების შექმნა, რაც ფინანსურად დიდ ხარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული, არამედ საკმარისია ხსენებულ უწყებებში სათანადო საპროცესო უფლებამოსილებებით აღჭურვილი მომკვლევის ინსტიტუტის შექმნა (2–3 კაცის შემადგენლობით), რომელიც განახორციელებს საგამოძიებო მოქმედებებს შესაბამისი კატეგორიის სისხლისსამართლებრივი გადაცდომის ფაქტებზე, რის შემდეგაც საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად საქმეს არსებითი განხილვისათვის გადასცემს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს ხელმძღვანელს ან სასამართლოს, ქვემდებარეობის მიხედვით.

3. გარდა აღნიშნულისა, პროექტის ავტორების მიერ წინა პლანზე იქნა დაყენებული სისხლისსამართლებრივი გადაცდომის საქმეთა წარმოებისას გადაცდომის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირისათვის მისი უფლებებისა და

თავისუფლებების განუხრელად დაცვის გარანტიების უზრუნველყოფა, რაც ამჟამად მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ყველაზე დიდ ხარვეზს წარმოადგენს. გადაცდომის ჩამდენისათვის ხსენებული უფლებები გარანტირებულია სათანადო საპროცესო ინსტიტუტების შექმნითა და ისეთი სტანდარტების დაწესებით, როგორიცაა: დასაბუთებული ვარაუდის არსებობა ქმედების ჩადენის თაობაზე პირის მიმართ დევნის დაწყებისათვის; მაღალი ალბათობის სტანდარტის არსებობა ქმედების ჩადენის შესახებ, რათა საქმე მის მიმართ გადაცემულ იქნეს არსებითი განხილვისათვის; გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დაცვით სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა პირის ბრალეულობის თაობაზე; უფლებამოსილი ორგანოს ხელმძღვანელის მიერ გადაცდომის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების სასამართლოში გადამოწმების შესაძლებლობა; სასამართლოში გადაცდომის საქმეთა წარმოების ინსტანციურობა (სულ ცოტა ორ სასამართლო ინსტანციაში საქმის განხილვის უფლება); საქმის წარმოების პროცესში დაცვის მხარისათვის დამატებით ისეთი ფართო უფლებების მინიჭება, რაც არ არსებობს მოქმედ სისხლისსამართლის კანონმდებლობაშიც კი; პირის მიმართ მსუბუქი კატეგორიის გდაცდომის საქმის წარმოებისას მისთვის არჩევანის შესაძლებლობა, კერძოდ, მისი სურვილის შემთხვევაში, საქმეზე შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული წარმოება ან საერთო წარმოება მისი კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით;

4. პროექტის ავტორების მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული გადაცდომის საქმეთა წარმოებაში ინკვიზიციური პროცესის ელემენტების შემოტანა საქმის სასამართლოში განხილვის სტადიაზე, რათა შექმნილიყო იმის შესაძლებლობა, რომ ხელი შეეწყოს საქმის გარემოებების სრულყოფილად დადგენას, როგორც გადაცდომის ჩამდენი პირის, ასევე საჯარო ინტერესების მაქსიმალურად და პროპორციულად დაცვის მიზნით, რაც, თავის მხრივ, გააძლიერებს სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფის პირობებს.

5. პროექტის ავტორები შეეცადნენ მაქსიმალურად ყოფილიყო უზრუნველყოფილი სისხლისსამართლებრივი გადაცდომის, გამიჯვნა დანაშაულისაგან, აგრეთვე, გადაცდომის ჩამდენი პირის გამიჯვნა სისხლისსამართლებრივი დამნაშავისგან და მისი სტიგმატიზაციის თავიდან აცილება. საამისოდ პროექტში მოცემულია არამარტო განსხვავებული საპროცესო ინსტიტუტები, არამედ განსხვავებული, სპეციალური ტერმინოლოგიაც კი, მაგალითად, „მოკვლევა“ და არა „გამოძიება“; „მომკვლევი“ და არა „გამომძიებელი“; „ეჭვმიტანილი“ და არა „ბრალდებული“; „საპროცესო იძულების ღონისძიება“ და არა „აღკვეთის ღონისძიება“ და სხვა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეჭვმიტანილი ამ პროცესის მიხედვით სარგებლობს სისხლის სამართლის პროცესით გათვალისწინებული ბრალდებულის უფლებებით. აქვე უნდა ითქვას, რომ სისხლისსამართლებრივი გადაცდომის საქმეებზე საპროცესო წარმოებაში სრულად მოქმედებს სისხლისსამართლის პროცესით გათვალისწინებული ყველა ზოგადი პრინციპი, რომლებითაც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს პროცესის ყველა მონაწილის უფლებების და თავისუფლებების ჯეროვნად დაცვა.

6. პროექტის სიახლესა და ერთ–ერთ თავისებურებას წარმოადგენს ასევე სისხლისსამართლებრივი გადაცდომის ჩადენით დაზარალებული ფიზიკური თუ იურიდიული პირის ბევრად უფრო გაზრდილი უფლებები, იმასთან შედარებით, რაც გათვალისწინებულია ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით. ასეთი მიდგომა მოცემული საკითხისადმი აიხსნება იმ გარემოებით, რომ სისხლის სამართლის დანაშაულებისგან განსხვავებით სისხლისსამართლებრივი გადაცდომების უმრავლესობა თავისი ბუნებით ისეთია, რომლებიც იწვევენ მატერიალურ ზარალს, რის გამოც დაზარალებულ პირს მეტი საშუალებები უნდა გააჩნდეს მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად. ამასთან, სისხლისსამართლებრივი გადაცდომის საქმეზე დაზარალებულად ცნობილი პირი, პროექტის მიხედვით, არ იქნება აღჭურვილი რაიმე ისეთი უფლებებით, რომელთა მეშვეობით მას შეეძლება რაიმე გავლენა

მოახდინოს პირის ბრალეულობა – არაბრალეულობის საკითხის გადაწყვეტაზე, მაგალითად, მას არ შეეძლება პირის მიმართ გამოტანილი გამამართლებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება.

7. მძიმე კატეგორიის ისეთი სისხლისსამართლებრივი გადაცდომის საქმეზე, რომლისთვისაც გათვალისწინებული იქნება ყველაზე მკაცრი სახდელი, როგორიცაა ტუსაღობა (მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთა), აგრეთვე გადაცდომის ისეთ საქმეზე, რომელსაც განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, სამართალწარმოება მთლიანად უნდა განხორციელდეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ნორმებისა და ინსტიტუტების საფუძველზე, რადგან ასეთი გადაცდომები, თავისი სიმძიმით დანაშაულს უახლოვდებიან, ამასთან, მისი ჩამდენის დასჯადობა თუნდაც მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთით, უეჭველად მოითხოვს უფრო მაღალი დონის წინასწარ გამოძიებას, ვიდრე არის მოკვლევა, და სასამართლო განხილვას, რასაც ითხოვს ასევე მსგავს საქმეებზე განხორციელებული მართლმსაჯულების მიმართ საზოგადოების მხრიდან ნდობის მაღალი ხარისხის აუცილებლობა. საამისოდ განხილული პროექტის საპროცესო ნაწილში მოცემულია მითითებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამის მუხლებზე.

სისხლისსამართლებრივი გადაცდომების საქმეთა საპროცესო წარმოების სისტემა გამომდინარეობს თვით ამ გადაცდომების კატეგორიებიდან. მსუბუქი კატეგორიის გადაცდომის საქმეზე, თუკი მისი ჩამდენი პირი თანახმაა, განხორციელდება გამარტივებული წარმოება, რომელიც მდგომარეობს მომკვლევის დადგენილებით აღნიშნული პირის მიმართ გადაცდომის ჩადენის ადგილზე სახდელის შეფარდებაში მოკვლევის მასალების საფუძველზე, ანდა, გადაცდომის ჩადენის ადგილზე პირის არყოფნის შემთხვევაში, როდესაც მისი ვინაობა და საცხოვრებელი ადგილი ცნობილია, ასევე მოკვლეული მასალების საფუძველზე პირს დაჯარიმების შესახებ გამოტანილი დადგენილება გაეგზავნება, რომელიც ძალაში შედის მისი თანხმობის მიღების შემთხვევაში, ხოლო თუ ის თანახმა არაა, მაშინ მან კანონით დადგენილ ვადაში უნდა მიმართოს შესაბამის უფლებამოსილი ორგანოს იმის თაობაზე, რომ მის მიმართ განხორციელდეს საერთო საპროცესო წარმოება, მსგავსად სხვა საქმეებისა.

საერთო საპროცესო წარმოება ხორციელდება მომკვლევის მიერ ყველა სხვა კატეგორიის სისხლისსამართლებრივი გადაცდომის საქმეზე, თუკი ამ გადაცდომისათვის სახდელად გათვალისწინებული არ არის ტუსაღობა ან გადაცდომის საქმეს არ გააჩნია განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა, რომელშიც აქტიურად მონაწილეობს დაცვის მხარე – მოიპოვებს და წარადგენს თავის მტკიცებულებებს, ესწრება საგამოძიებო მოქმედებებს და ა.შ. საერთო საპროცესო წარმოებისას. მოკვლევის დასრულების შემდეგ, თუკი არსებობს მაღალი ალბათობა იმისა, რომ პირმა შესაძლოა ნამდვილად ჩაიდინა გადაცდომა, საქმე არსებითი განხილვისათვის გადაეცემა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს ხელმძღვანელს, რომელსაც უფლება აქვს: შეწყვიტოს პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა ან მთლიანად საქმის წარმოება ანდა დანიშნოს საქმის არსებითი განხილვა, რის თაობაზეც ეცნობება დაცვის მხარეს. საქმის არსებითი განხილვა ხდება მინიპროცესზე მხარეების მონაწილეობით, რომელსაც წარმართავს კომპეტენტური ორგანოს ხელმძღვანელი. საქმის განხილვის შემდეგ ეს უკანასკნელი იღებს გადაწყვეტილებას პირის გადაცდომის ჩამდენად ცნობისა და მასზე სახდელის დაკისრების შესახებ ან პირის არაბრალეულად ცნობისა და მის მიმართ დევნის შეწყვეტის შესახებ. ეს გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში კანონით დადგენილ ვადაში და წესით დაცვის მხარის ან დაზარალებულის მიერ (მხოლოდ ზიანის ანაზღაურების ნაწილში). შემდგომში, თუკი არსებობს დაინტერესებული მხარის საჩივარი, საქმე შეიძლება განხილულ იქნეს ორ სასამართლო ინსტანციაში – პირველი ინსტანციის სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოში. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმე განიხილება სრული

მოცულობით სასამართლო გამოძიების განხორციელების გზით, იმ წესების საფუძველზე რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, აგრეთვე სისხლისსამართლებრივ გადაცდომათა კოდექსის საპროცესო ნაწილში მითითებული თავისებურებების გათვალისწინებით, ხოლო სააპელაციო სასამართლოში კი საქმე განიხილება სისხლისსამართლის საპროცესო კოდექსით საკასაციო წარმოებისათვის გათვალისწინებული წესების საფუძველზე.

რაც შეეხება საქმეებს ისეთ გადაცდომებზე, რომლისთვისაც კანონით სახდელად გათვალისწინებულია ტუსაღობა, ასევე საქმეებს, რომლებსაც გააჩნიათ განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა, მათ თაობაზე წინასწარი გამოძიება და პირველი ინსტანციის სასამართლოში მათი განხილვა მთლიანად ტარდება საქართველოს სისხლისსამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესების დაცვით, ხოლო სააპელაციო სასამარლთოში კი ასეთი საქმეც საკასაციო ინსტანციისათვის გათვალისწინებული წესების საფუძველზე განიხილება, ამასთან, საქმეზე აქ გამოტანილი განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

ანოტაცია პროექტზე - ჩვეულებითი სამართლის მოქმედება თანამედროვე ბალსზემო სვანეთში

ჩატარდა ექსპედიცია ბალსზემო სვანეთში, მოხდა მასალების მოძიება, შეკრება, პასპორტიზაცია, სისტემატიზაცია და მეცნიერული ანალიზი.
დაფიქსირდა, რომ საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში, კერძოდ, სვანეთში, სხვა კუთხეებისგან განსხვავებით დღემდე მოქმედებას განაგრძობს ჩვეულებითი სამართალი, რომელიც გარკვეული მოდიფიკაციით (ძველ პერიოდთან შედარებით) კვლავ არეგულირებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელ რიგ სფეროებს.

ანოტაცია პროექტზე - „საქართველოს სამოქალაქო სამართლის საფუძვლები ქართულ სასამართლო პრაქტიკაში“

თანამედროვე მსოფლიო მოიცვა ინტეგრაციულმა პროცესებმა. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც ამა თუ იმ ქვეყნის სამართალი შეზღუდული იყო მხოლოდ თავისი სახელმწიფოს ფარგლებით და მხოლოდ მისი სამართლებრივი წყაროებით იკვებებოდა. ჰარმონიზაციის პროცესი სამართლის ოჯახებსაც შეეხო. პრეცედენტული სამართლის არაერთმა ინსტიტუტმა მოიკიდა ფეხი ევროპულ სამართალში. ამ ჰარმონიზაციის გამოხატულებაა ისიც, რომ თუ ინგლისურ – ამერიკულ სამართალში პრეცედენტის გვერდით მაღლდება კანონის ავტორიტეტი, ევროპაში პირიქით, კანონის გვერდით იზრდება პრეცედენტის მნიშვნელობა.
განუზომლად დიდია სასამართლო პრაქტიკის მნიშვნელობა ეგრეთ წოდებული ზოგადი დათქმებისა და ღია ნორმების ინტერპრეტაციისას, მაგალითად, როგორიცაა კეთილსინდისიერების პრინციპი, „გონივრული დრო“, „უსამართლო პირობები“. კანონმდებელი ხშირად, მაქსიმალურად ღია სახით აყალიბებს ნორმებს, რადგანაც მას არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს თუ რომელი შემთხვევების მიმართ იქნებიან ისინი გამოყენებულნი. ცხადია, ისეთი ზოგადი დათქმები, როგორიცაა კეთილსინდისიერების პრინციპი, სამართლიანობა, კეთილი ზნე, გონიერება და სხვა, წარმოადგენენ უაღრესად მოქნილ ნორმებს. მსგავსი ღია დათქმები სასამართლო პრაქტიკაში „ცოცხლდებიან“, ახალი სამართლებრივი არსით ივსებიან და კონტინენტური ევროპის ქვეყნებში მათ ფართო გამოყენება აქვთ. ამის არგუმენტად *ჰესელინკი* მიიჩნევდა იმას, რომ რომაულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის მოსამართლეები არაკომფორტულად გრძნობენ თავს კანონშემოქმედის როლში. აღნიშნულ ქვეყნებში ტრადიციულად გაბატონებულია შეხედულება, რომ მოსამართლე სამართალშემფარდებელია და არა კანონშემოქმედი. ამიტომ, მისთვის გაცილებით უფრო ადვილია განაცხადოს, რომ იგი უბრალოდ იყენებს, ხალხის მიერ

არჩეული პარლამენტის მიერ დადგენილი სამართლის ნორმებს, და ასეთი ზოგადი დათქმების გამოყენებით პრაქტიკულად ამკვიდრებს ახალ მოწესრიგებას.
პროექტის ფარგლებში განხორციელდა 25 სასამართლო გადაწყვეტილების ანალიზი, რომელიც შეადგენს 400 მდე გვერდს. პუბლიკაცია გამოქვეყნდება 2016 წლის მარტში. მიმდინარე პერიოდში ხორციელდება რედაქტირება და გამოქვეყნებისათვის მომზადება.
განხორციელებული კვლევითი პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს: პირველ რიგში არსებული სასამართლო გადაწყვეტილებების მეცნიერულ ანალიზს, მეცნიერებებაში პრაქტიკის ინტეგრირებას და პირიქით, სასამართლო პრაქტიკაზე დაფუძნებით იურიდიული დოქტრინის სრულყოფას.

ირინე ხერხეულიძის კვლევა ეხებოდა ადამიანით ვაჭრობას (ტრეკიფინგს), როგორც საერთაშორისო ხასიათის ორგანიზებულ დანაშაულს, გასაკუთრებული აქცენტებით ქალთა საერთაშორისოდ აღიარებული უფლებების დაცვის თვალსაზრისით. ინტერნაციონალური ხასიათის კვლევა, რომელიც მოიცავდა ქართულ, გერმანულ და აშშ-ის საკანონმდებლო და სოციალურ კონტექსტს, განსაკუთრებულ ფოკუსს აკეთებდა ქალთა და გოგონათა მიმართ ჩადენილ სქესობრივ ექსპლუატაციაზე. კვლევა იხილავდა ასევე ქალთა მიმართ ჩადენილი სექს-ტრეფიკინგისა და ლეგალიზებული პროსტიტუციის კორელაციის საკითხს საერთაშორისო აქტების ფონზე. საერთაშორისო ინსტრუმენტთა შორის ხაზი გაესვა გაეროს ტრანსნაციონალური დანაშაულის შესახებ კონვენციის ოქმს ადამიანებით, განსაკუთრებით კი ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობის პრევენციის, აღკვეთის, და დასჯის შესახებ ე.წ. პალერმოს ოქმს. ევროპულ დონეზე კი განხილულ იქნა ევროკავშირის რეგიონალური ინსტრუმენტები, ჩარჩო ხელშეკრულებები და დირექტივები მიმართული ტრეფიკინგის დანაშაულის პრეცევნიისა და აღმოფხვრისაკენ. კვლევაში განხორციელდა ევროპული (გერმანული) სამართლებრივი ხედვის აშშ-ის კანონმდებლობასთან შეპირისპირება ქალთა ტრეფიკინგის საკითხის გარშემო. საბოლოოდ, ქალთა მიმართ ჩადენილი ტრეფიკინგის ეფექტური პრევენციის ღონისძიებების შეფასების კუთხით გაკეთდა დასკვა, ე.წ. შვედური მოდელის უპირატესობის თაობაზე.

IV. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	კაზუსის ამოხსნის გერმანული მეთოდის დანერგვა ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში	ირმა ხარშილაძე, სხვა ექსპერტებთან ერთად		საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურიდიული განათლების ფონდის, IRZ-ისა და GIZ-ის ერთობლივი საგრანტო პროექტი
	სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები	ნონა თოდუა	ნონა თოდუა მზია ლეკვეიშვილი გურამ ნაჭყებია	ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო”

	საქართველოში		მაია ივანიძე ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი თემურ ცქიტიშვილი	
	სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო)	მაია ივანიძე	მაია ივანიძე მზია ლეკვეიშვილი ნონა თოდუა ირინე ხერხეულიძე გურამ ნაჭყებია ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი (ანაზღაურების გარეშე) გოჩა მამულაშვილი (ანაზღაურების გარეშე)	თსუ შიდასაფაკულტეტო სამეცნიერო გრანტი
	ადმინისტრაციული სამართლის პროცესის სახელმძღვანელო, ადმინისტრაციული სამართლის მიმართულება	მაია კოპალეიშვილი	მაია კოპალეიშვილი, ირმა ხარშილაძე, ხათუნა ლორია, თამარ გვარამაძე, თამარ ღვამიჩავა	თსუ
	“Domestic violence –the issue to be dealt with in a holistic way” (On the basis of comparison of the Italian, the U.S. and Georgian law and practice), სისხლის სამართალი, ქალთა უფლებები.	იტალიის სალერნოს უნივერსიტეტის პროფესორი Prof. Dr. Stefania Negri	ირინე ხერხეულიძე	ERASMUS MUNDUS/ EMBER
	„ქართულ-გერმანული სისხლის სამართლის ჟურნალი“ - Deutsch-Georgische Strafrechtszeitchrift (DGStZ). <u>ჟურნალი იქნება</u>	ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის პროფ. მარტინ ჰეგერი, ებერჰარდ კარლის	ჟურნალის გამომცემლები არიან: პროფ. ჰაინერ ალვარტი (იენის უნივერსიტეტი); სამართლის	საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ); ასევე, თსუ იურიდიული ფაკულტეტის

	ელექტრონული	თიუბინგენის უნივერსიტეტის პროფ. ბერნდ ჰაინრიხი და თსუ იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი ანრი ოხანაშვილი (ჟურნალის კოორდინატორი)	დოქტორი აქსელ ბოეტიხერი (გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი მოსამართლე); პროფ. ოთარ გამყრელიძე; საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, პროფ. ნინო გვენეტაძე; პროფ. მარტინ ჰეგერი (ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი); პროფ. ბერნდ ჰაინრიხი (ებერჰარდ კარლის თიუბინგენის უნივერსიტეტი); გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფლი ვიცე პრეზიდენტი, პროფ. ბურკჰარდ იენკე; პროფ. ედვარდ შრამი (იენის უნივერსიტეტი); საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, პროფ. დავით სულაქველიძე (თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი); საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე, პროფ. მერაბ ტურავა (თსუ)	მხარდაჭერა

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)
პროექტის - სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში - ძირითადი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მასში განხილულია, თუ რა მიმართულებით უნდა მოხდეს საქართველოს სს კანონმდებლობის ლიბერალიზაცია და რა ინსტიტუტებს უნდა შეეხოს იგი. კერძოდ, განხილულია ლიბერალიზმის, როგორც პოლიტიკური მიმართულების არსი და მისი გამოვლინება სამართალში. ასევე ქმედების კრიმინალიზაცია-დეკრიმინალიზაციის არსი, სასჯელის ინდივიდუალიზაციის საკითხი, ალტერნატიულ სასჯელთა საკითხი საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში, პირობითი მსჯავრის საკითხი და სასჯელის პროპორციულობის პრობლემა სისხლის სამართალში. პროექტის - სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო) - დასრულების შედეგად იბეჭდება სახელმძღვანელო სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში, სადაც განხილულია არა მარტო მოძღვრება დანაშაულზე, არამედ მოძღვრება სასჯელზეც. ამდენად, გამოდის სრულყოფილი სახელმძღვანელო სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში, რაც ამგვარი სახით არ გამოცემულა 2007 წლის შემდეგ. ირინე ხერხეულიძის კვლევითი პროექტი მოიცავს 2015-2016 სასწავლო წლის გარკვეულ პერიოდს. პროექტის უცხოელი ხელმძღვანელისა და ჩემი შენახმებით, მისი განხორციელება დაიგეგმა არა 2015 წლის შემოდგომის სემესტრში, არამედ 2016 წლის გაზაფხულის სემესტრში. ამდენად, აღნიშნული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგებიც, წარმოდენილი იქნება შესაბამისად, პროექტის დასრულების შემდეგ. ამ ეტაპზე კი განვმარტავ, რომ პროექტი ეხება ოჯახური ძალადობის პრობლემას და იგი განხილული იქნება არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი, ვიწრო დარგობრივი თვალსაზრისით, არამედ დამუშავებული იქნება საერთაშორისო სფეროში აღირებული და მწვავედ დასმული ქალთა უფლებების საკითხი. კვლევა არის ინტერნაციონალური, რადგან მისი სამზნე ქვეყანა არა მარტო საქართველოა, არამედ იტალია, როგორც ევროკავშირის წევრი სახელმწიფო და ასევე ამერიკის შეერთებული შტატები. „ქართულ-გერმანული სისხლის სამართლის ჟურნალის“ მრავალწლიანმა პროექტმა ფუნქციონირება დაიწყო 2015 წლის 8 ოქტომბრიდან, როდესაც საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოხდა გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალის ოფიციალურად დაარსება. პროექტი ითვალისწინებს გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ელექტრონული ჟურნალის შექმნას ორ ენაზე, გერმანულად და ქართულად. ასეთი სახის ელექტრონული ჟურნალი არის საქართველოს ისტორიაში პირველი, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ქართული სისხლის სამართლის ევროპეიზაციას. ჟურნალის მიზანია ქართული და გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკის დაახლოვება და შედარებით ანალიზის წარმოება, რომელიც განხორციელდება გერმანელი და ქართველი სისხლის სამართლის პროფესორების სამეცნიერო ნაშრომების დასახელებულ ჟურნალში ქართულად და გერმანულად გამოქვეყნებით. ჟურნალის მიზანია ასევე, სამეცნიერო წერის კულტურის ამაღლება სისხლის სამართლის მიმართულებით. ჟურნალი ორიენტირებულია არა მხოლოდ პროფესორებზე, არამედ, ასევე, დოქტორანტებსა და სტუდენტებზე, რომლებსაც ექნებათ შესაძლებლობა, გამოაქვეყნონ საკუთარი ნაშრომები. გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ელექტრონული ჟურნალის პირველი ნომრის გამოცემაზე მუშაობა დაწყებულია და მიმდინარეობს სამეცნიერო სტატიების მიღება. ჟურნალის პირველი ნომრის გამოცემა დაგეგმილია 2016 წლის პირველ კვარტალში. წელიწადში დაგეგმილია სულ დაახლოებით 3 ნომრის გამოცემა.

დაწესებულება თუ საჭიროდ თვლის, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

კონსტანტინე კორკელიამ წლის განმავლობაში ჩაატარა 5 სემინარი მოსამართლეებისა და ადვოკატებისათვის.

გიორგი თუმანიშვილი იმყოფებოდა 2015 წლის აგვისტოში გერმანიაში, ქ. იენაში, DAAD-ის ფონდის ხელშეწყობით კვლევითი საქმიანობის განსახორციელებლად აღმოსავლეთ-დასავლეთ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში.

მორის შალიკაშვილი ერთთვიანი სამეცნიერო-კვლევითი სტიპენდიით იმყოფებოდა ქ. ფრაიბურგის (გერმანია) მაქს-პლანკის საერთაშორისო და საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის ინსტიტუტში.

ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (2 ეგზემპლარად) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დებულების მე-2 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი
2015 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი – ალექსანდრე ცისკარიძე

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა.

სრული პროფესორები:

1. ალადაშვილი ალექსანდრე
2. გაგუა რეზო
3. გალდავა გიორგი
4. თოდუა ფრიდონი
5. იმნაძე პაატა
6. კეზელი თამარი
7. კილაძე მერაბი
8. კორძაია დიმიტრი
9. ლობჟანიძე გია
10. მარგველაშვილი ვლადიმერი
11. ოკრიბელაშვილი ნინო
12. ომიაძე მიხეილი
13. ქარსელაძე რუსუდანი
14. შაქარიშვილი რომანი
15. ჩიგოგიძე თეიმურაზი
16. ჩხაიძე ზურაბი
17. ცერცვაძე თენგიზი
18. წინამძღვრიშვილი ბეჟანი
19. ხომასურიძე არჩილი
20. ჯორბენაძე თეიმურაზი

ასოცირებული პროფესორები:

1. ანთაძე ამირან
2. ანთელავა ნიკოლოზი
3. ბაგაშვილი თამილა
4. ბერიაშვილი ზურაბი
5. გვენეტაძე არსენი
6. გიგინეიშვილი დავითი
7. გიორგაძე ელენე
8. გონჯილაშვილი ვლადიმერი
9. გუგუციძე დარეჯანი
10. დადიანი ქეთევანი
11. ვაშაძე თამარი
12. ზურაბაშვილი დავითი
13. თავბერიძე ლევანი
14. კალანდაძე მანანა
15. კაციტაძე გივი
16. კახაძე სოფიო
17. კვირკველია ნანა
18. კოპალიანი მედეა
19. ლაბარტყავა ალექსანდრე
20. ლორია ლაშა
21. მამამთავრიშვილი ნინა
22. მანჯავიძე ნატალია
23. მაჭავარიანი პავლე
24. პატარაია გიორგი
25. ჟვანია გიორგი
26. ჟორჟოლიანი ლიანა
27. სულუხია რევაზი
28. ტაბიძე გულნარა
29. ქიტუაშვილი თინა
30. ქრისტესაშვილი ჯენარა
31. ღირდალაძე ავთანდილი
32. ყაზახაშვილი ნატა
33. შარაშიძე ნინო
34. შარვაძე ლალი
35. შაქარაშვილი მარინე
36. ჩიხლაძე ნინო
37. ცანავა შოთა
38. ცისკარიძე ალექსანდრე
39. ჭიჭინაძე კონსტანტინე
40. ჭუმბურიძე ვახტანგი
41. ხოდელი ნოდარი

ასისტენტ-პროფესორები:

1. აბაშიძე რუსუდანი
2. აბულაძე ვალერიანი
3. ბარაბაძე ქეთევანი
4. ბარბაქაძე ირინა
5. გეგენავა მაკა
6. გოგიბერიძე მამუკა
7. გოდერძიშვილი ვახტანგი
8. გურგენიძე მამუკა
9. დარჯანია ოთარი
10. დოჭვირი თეიმურაზი
11. ელისაბედაშვილი გიორგი
12. თოდუა მანანა
13. კაკაბაძე მანანა
14. კიკალიშვილი თამარი
15. კირვალიძე ია
16. ლურსმანაშვილი გია
17. მამამთავრიშვილი გრიგოლი
18. მგელიაშვილი თეიმურაზი
19. პეტრიაშვილი ალინა
20. რუხაძე თამარი
21. სიხარულიძე გიორგი
22. ფარულავა შალვა
23. ჩუხრუკიძე არჩილი
24. ჩხაიძე ზურაბი
25. ჩხაიძე მამუკა
26. ჭიპაშვილი მარიამი
27. ხეროდინაშვილი გიორგი
28. ჯანგავაძე მიხეილი

სარჩევი:

დეპარტამენტი	გვ.
დერმატო-ვენეროლოგიის დეპარტამენტი	3
ფსიქიატრიის დეპარტამენტი	10
გადაუდებელი და კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტი	13
ინფექციურ დაავადებათა და კლინიკური იმუნოლოგიის დეპარტამენტი	17
მეანობა-გინეკოლოგიის და რეპროდუქტოლოგიის დეპარტამენტი	40
ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის დეპარტამენტი	55
ფარმაკოლოგიის დეპარტამენტი.	66
პათოლოგიის დეპარტამენტი	73
პედიატრიის დეპარტამენტი	82
სამედიცინო რადიოლოგიისა და ენდოსკოპიის დეპარტამენტი	89
საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი	94
სტომატოლოგიის და ყბა - სახის ქირურგიის დეპარტამენტი	106
თერაპიის დეპარტამენტი	112
უროლოგიის დეპარტამენტი	125
ნკოლოგიის დეპარტამენტი	131
ქირურგიის დეპარტამენტი	139
ანატომიის, ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის დეპარტამენტი	145

დერმატო-ვენეროლოგიის დეპარტამენტი

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი. პროფესორი გიორგი გალდავა
სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:
პროფესორი გიორგი გალდავა
ასოცირებული პროფესორი თინა ქიტუაშვილი
ლაბორანტი ელზა გადელია

* საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	"სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმების პროგრამის ფარგლებში სამხედრო ძალებში გასაწვევ პირთა დამატებითი სტაციონარული გამოკვლევების კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელება." (04.02.2015-დან 30.06.2015-მდე და 11.08.2015-დან 31.12.2015-მდე).	გიორგი გალდავა	დაწესებულების დერმატო-ვენეროლოგები
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
	ქვეყნის თავდაცვის სამსახურში ჯანმრთელი მოსამსახურის არსებობა საქართველოს სამხედრო კანონმდებლობით განსაზღვრული აუცილებლობაა. პროგრამის მიზანი იყო სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა შორის კანისა და სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებათა გამოვლენა. ამ მიზნით ჩატარდა სამხედრო ძალებში გასაწვევი ასაკის მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება და ლაბორატორიული გამოკვლევა კანისა და სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებათა გამოვლენის მიზნით. **კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შედეგები:** 2015 წელს სულ გასინჯული იყო 36 ახალგაზრდა, რომელიც გამოგზავნილი იყო სამხედრო სამსახურში გამწვევი კომისიის მიერ. პირველ ეტაპზე გამოკვლეულია 23 მოქალაქე, მეორეჯერ – 13 მოქალაქე. დაუდგინდათ სხვადასხვა დაავადება.		

* სახელმწიფო გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასა-ხელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

1				
დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)				
	პროექტის დასა-ხელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2				

სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასა-ხელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	“რანდომიზებული, ერთ-ცენტრიანი, ორმაგად-ბრმა, პლაცებოთი-კონტროლირებული, I/IIა ფაზის კვლევა, ადამიანის თმის ფოლიკულის დერმული გარსის ფიალისებური უჯრედების (“ შჩჩ”) აუტოტრანსპლანტატის უსაფრთხოების და ეფექტურობის შეფასებისათვის, ქალებსა და მამაკაცებში, ანდროგენული ალოპეციით. (01.01.2015 წ-დან 31.12.2015წ-მდე)	“TrichoScience Innovations, Inc”, მდებარე: 200-455 გრანვილეს ქუჩა, ვანკუვერი, ბრიტანული კოლუმბია, V6C 1T1, კანადა	გიორგი გალდავა	მთავარი მკვლევარი - ნინო ლორთქიფანიძე დაწესებულების დერმატო-ვენეროლოგები
დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)				
გამოკვლეულია 19 პაციენტი				
II.	პროგრამა „საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების მხარდაჭერა, აივ/შიდსით დაავადებულთა სიცოცხლის მაჩვენებლების გაუმჯობესება მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების	ა(ა)იპ საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი ”თანადგომა”	ვახტანგ გოგოხია	დაწესებულების დერმატო-ვენეროლოგები

	გაძლიერების გზით“. პროექტი - “აივ პრევენციული ღონისძიებების გაძლიერება მაღალი რისკის ქცევის მქონე ჯგუფებში (კომერციული სექს-მუშაკი ქალები, ჰომოსექსუალური ურთიერთობის მქონე მამაკაცები და პატიმრები) Obj2,act2.2" (01.12.14 - 31.12.15 წწ)			

დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

ერთ-ერთი ძირითადი რგოლი სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში არის სქესობრივი გზით გადამდები დაავადების აქტიური გამოვლინება და კერების სანაცია, აგრეთვე ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდის გაძლიერება. სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებათა აქტიური გამოვლინება და მათი პრევენცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სარისკო ქცევის ჯგუფებში (კომერციული სექსმუშაკი ქალები CSW და მამაკაცები, რომელთაც სექსი აქვთ მამაკაცთან MSM და პატიმრებში). პროგრამა ითვალისწინებს CSW, MSM-ის და პატიმრების პროფილაქტიკურ გამოკლევას და მკურნალობას, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების და მათი გავრცელების გზების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და უსაფრთხო სექსის ჩვევების დანერგვას ამ ჯგუფებში.

2015 წლის 11 თვეში გამოკვლეულ პაციენტთა რაოდენობაა 1209, მათ შორის დაავადება გამოვლინდა: სიფილისი – 253, გონორეა – 115, ქლამიდიოზი – 338, ტრიქომონიაზი – 89-ს, მკურნალობა ჩაუტარდა 792-ს.

*** პუბლიკაციები:**

ა) საქართველოში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	გიორგი გალდავა თინა ქიტუაშვილი ვახტანგ კვირკველია	დერმატოლოგიისა და ვენეროლოგიის ატლასი	თბილისი, თსუ გამომცემლობა	200-ზე მეტი

ანოტაციები

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2	Чиокадзе Ш.Б., Галдава Г.Г.	ჰუმორული იმუნიტეტის მდგომარეობა უშვილო მამაკაცებში	GEORGIAN MEDICAL NEWS. N4 (241).	Март 2015 Tbilisi	5ст. (*ст.58-62).*

		ანტისპერმული ანტისხეულებით და გენიტალური ორგანოების სხვადასხვა პათოლოგიით			
ანოტაციები					

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3 4 5	G.Galdava, P.Yavich, G.Tvaliashvili, L.Churadze, A.Gilels.	Topical Therapy Colhicine containing ointment	24th EADV Congress	7-11 October, 2015. Copenhagen, Denmark.	
ანოტაციები					

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	Кудава Х.Т, Твалиашвили Г.М., Китуашвили Т.А.	К ВОПРОСУ КЛИНИЧЕСКИХ ФОРМ МИКОЗОВ ВОЛОСИСТОЙ ЧАСТИ ГОЛОВЫ	Успехи медицинской микологии. Том 14.	Москва, 2015	504 с.
ანოტაციები					

კლინიკური გაიდ-ლაინები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
2					
ანოტაციები					

* სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

1. საქართველოს დერმატოვენეროლოგთა ასოციაციის, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტისა და შპს კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ეროვნული ცენტრის XXXXIV კონფერენცია. VII პოლიპროფილური სამედიცინო კონფერენცია. ასაკობრივი ასპექტები დერმატო-ვენეროლოგიაში.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	გიორგი გალდავა	ათაშანგის ეპიდემიოლოგიური თავისებურებანი საქართველოში.	14-22 თებერვალი, 2015. ბაკურიანი.
მოხსენებათა ანოტაციები			
2	თინა ქიტუაშვილი	„გერიატრიული დერმატოზები”	14-22 თებერვალი, 2015. ბაკურიანი.
მოხსენებათა ანოტაციები			

2. საქართველოს დერმატოვენეროლოგთა ასოციაციის, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტისა და შპს კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ეროვნული ცენტრის XXXXV კონფერენცია. მედიკოსთა ტრადიციული 37-ე საერთაშორისო სკოლა-კონფერენცია.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	გიორგი გალდავა	სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებათა ასაკობრივი თავისებურებანი.	21 თებერვალი – 1 მარტი, 2015. ბაკურიანი.
მოხსენებათა ანოტაციები			
2	თინა ქიტუაშვილი	„დერმატოზების კლინიკური მიმდინარეობის თავისებურებანი ხანდაზმულ ასაკში“	21 თებერვალი – 1 მარტი, 2015. ბაკურიანი.

3. საქართველოს პედიატრთა აკადემიის პირველი საერთაშორისო კონგრესი.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	თინა ქიტუაშვილი	“როთმუნდ-თომსონის სინდრომი - თანდაყოლილი პოიკილოდერმია“	30 მაისი - 1 ივნისი, 2015. თბილისი
მოხსენებათა ანოტაციები			

4. VIII ეროვნული კონგრესი ალერგიას, ასთმასა და იმუნოლოგიაში. The VIII Georgian Congress of Alleergy, Asthma & Immunology has been accredited by European Accreditation Council for Continuing Medical Education (EACCME) for 18 hours European CME credits (EACCME).

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1	გიორგი გალდავა,	ქრონიკული უროგენიტალური ქლამიდიოზის მკურნალობის პრინციპები.	ჟუნე 24-27, 2015. თბილისი – თსკჰალტუბო
მოხსენებათა ანოტაციები			
2	თინა ქიტუაშვილი	« Guidelines for the siagnosis and treatment of Dermatitis Herpetiformis ».	June 24-27, 2015. Tbilisi – Tskhaltubo
მოხსენებათა ანოტაციები			

5. საქართველოს დერმატოვენეროლოგთა ასოციაციის, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტისა და შპს კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ეროვნული ცენტრის XXXXVI კონფერენცია. VIII პოლიპროფილური სამედიცინო კონფერენცია. დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის თავისებურებანი დერმატო-ვენეროლოგიაში.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	გიორგი გალდავა	სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების დიაგნოსტიკა – წარსული, აწმყო, მომავალი.	3-11 ივლისი, 2015. ჩაქვი
მოხსენებათა ანოტაციები			
2	თინა ქიტუაშვილი	„კანი სარკეა ორგანიზმის...“	3-11 ივლისი, 2015. ჩაქვი
მოხსენებათა ანოტაციები			

6. მედიკოსთა ტრადიციული 38-ე საერთაშორისო სკოლა–კონფერენციის ფარგლებში ჩატარებული კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ეროვნული ცენტრის, საქართველოს დერმატო-ვენეროლოგთა ასოციაციის და ივ.ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის 47-ე კონფერენცია.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	თინა ქიტუაშვილი	„დერმატოლოგიური პაციენტის წარუმატებელი მკურნალობის ზოგიერთი ასპექტი“.	თბილისი, 11-16 ივლისი, 2015.
მოხსენებათა ანოტაციები			

7. საერთაშორისო საიუბილეო კონფერენცია მიძღვნილი საქართველოში დერმატო-ვენეროლოგიის დარგის დაარსების 110 და კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ეროვნული ცენტრის 80 წლისთვისადმი. საქართველოში დერმატო-ვენეროლოგიური სამსახურის 110 წელი.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	გიორგი გალდავა	საქართველოში დერმატო-ვენეროლოგიური სამსახურის 110 წელი.	23-24 ოქტომბერი, 2015. თბილისი
მოხსენებათა ანოტაციები			

2	თინა ქიტუაშვილი	ახალი თაობის ანტიჰისტამინები: პრეპარატები გვერდითი ეფექტების გარეშე?	23-24 ოქტომბერი, 2015. თბილისი

ბ) უცხოეთში

1. *Научно-практическая международная конференция посвященная 90-летию основания дерматовенерологической службы в Республике Армения. Ереванские Дерматовенерологические Чтения.*

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Georgi Galdava	«Структура и особенности дерматовенерологической службы Грузии».	22-23 мая, 2015. Ереван, Армения.
მოხსენებათა ანოტაციები			

* საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1			
	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	
2			

ფსიქიატრიის დეპარტამენტი

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი - ნინო ოკრიბელაშვილი
სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:
ნინო ოკრიბელაშვილი - სრული პროფესორი
დავით ზურაბაშვილი – ასოცირებული პროფესორი,
გიორგი სიხარულიძე – ასისტენტ პროფესორი.

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2014 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	არა		
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
2	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	არა			
დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)				
2	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

ა) მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები				

ბ) სახელმძღვანელოები - არა
გ) კრებულები - არა
დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

2) უცხოეთში

ა) მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები				

ბ) სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ანოტაციები				

გ) კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები				

დ) აბსტრაქტები

№	ავტორი/ ავტორები	აბსტრაქტის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3	ნინო ოკრიბელაშვილი	**მოზარდობის კრიზისი: გზა ფსიქიკური დარღვევებისაკენ**	საქართველოს პედიატრთა მე-7 საერთაშორისო კონგრესი თბილისი, 17-18 აპრილი 2015 წ
ტერმინი “პუბერტას/მოზარდობის კრიზისი” არ გვხვდება არც დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციაში და არც ამერიკულ კლასიფიკატორში. "მოზარდთა კრიზისი" არის პრაგმატული მიგნება ნებისმიერი იმ დარღვევების აღსანიშნად, რომლებისთვისაც საერთოა ასაკთან შეჯიდული დასაწყისი, როგორც წესი - ხანმოკლე მიმდინარეობა და ხშირ შემთხვევაში, დრამატული გამოვლინებები.		

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3			
მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე			

გადაუდებელი და კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტი

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი - ზურაბ ჩხაიძე.
სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:
ზურაბ ჩხაიძე - სრული პროფესორი,
გივი კაციტაძე - ასოცირებული პროფესორი,
მამუკა ჩხაიძე - ასისტენტ პროფესორი.

I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

I. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1				
დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

I. 4.

2	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

II. 1. პუბლიკაციები:
ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3					
ანოტაციები ქართულ ენაზე					

II. 2. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				

2 3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3					
ანოტაციები ქართულ ენაზე					

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მამუკა ჩხაიძე	ახალშობილების ფილტვების ხელოვნური ვენტილაცია	14 აპრილი. 2015 თბილისი. ანესთეზიოლოგიის ევროპული სკოლის V კურსი.
ახალშობილთა ფხვ კვლავ მრავალი გამოწვევის წინაშე დგას. ამ მოხსენებაში განხილული იქნა რამდენიმე თანამედროვე მეთოდი.			

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1	ზურაბ ჩხაიძე	Intra abdominal hypertension correction by formatting the laparostomy	WSES, Jerusalem2015
პათოლოგიური სიმპტომოკომპლექსი-მწვავე აბდომინალური კომპარტმენტ სინდრომი წარმოადგენს რეალურ პრობლემას ქირურგიულ პრაქტიკაში. ინტრააბდომინალური წნევის გაზომვა არაპირდაპირი მეთოდით-შარდის ბუშტის კათეტერის მეშვეობით არის ამ სინდრომის დიაგნოსტირების მარტივი და უსაფრთხო ტესტი. მწვავე აბდომინალური კომპარტმენტ სინდრომის შემთხვევაში ქირურგიული დეკომპრესია(ლაპაროსტომის ფორმირებით) წარმოადგენს კარდიო-ვასკულური, რესპირატორული და თირკმლის დისფუნქციის კორექციის ეფექტურ და მარტივ მეთოდს. არაკორეგირებული აბდომინალური კომპარტმენტ სინდრომი იწვევს პოლიორგანულ უკმარისობას ლეტალური შედეგით.			

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1				
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

IV. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1				
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

ინფექციურ დაავადებათა და კლინიკური იმუნოლოგიის დეპარტამენტი.
ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ს-პ ცენტრი.
სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი თენგიზ ცერცვაძე.
სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:
სრული პროფესორი: თენგიზ ცერცვაძე,
ასოცირებული პროფესორი: ლალი შარვაძე,
ასისტენტ პროფესორი: მანანა თოდუა
მოწვეული პედაგოგები: ნატალია ბოლოკაძე, მარინა ენდელაძე.
დოქტორანტები: ლანა გაწერელია, მარიამ სვანიძე, აკაკი აბუთიძე, ნინო რუხაძე, ეკატერინე დოლმაზაშვილი.

II. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
(ეხება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	**„ღვიძლის ელასტოგრაფიის და FIB-4 ტესტის მნიშვნელობა ღვიძლის ციროზის გართულებების პროგნოზირებისათვის C ჰეპატიტით ავადმყოფებში საქართველოში"**	თენგიზ ცერცვაძე	ლალი შარვაძე, ნატალია ბოლოკაძე, აკაკი აბუთიძე, ნინო რუხაძე.

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

ქრონიკული C ჰეპატიტით ავადმყოფებში ღვიძლის ციროზის გართულებების რისკის შეფასებისათვის ღვიძლის ელასტოგრაფის და FIB-4 ტესტის პროგნოზული მნიშვნელობის შესწავლის მიზნით შეირჩა კვლევის რეტროსპექტიული დიზაინი.

განხილულ იქნა 2014 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 ივნისამდე ქართულ-ფრანგულ ჰეპატოლოგიურ კლინიკა „ჰეპაში" აღრიცხვაზე აყვანილი ქრონიკული C ჰეპატიტით ავადმყოფების ისტორიები. შერჩეული კოჰორტიდან გამოირიცხა ის ქრონიკული C ჰეპატიტით ავადმყოფები, რომლებსაც თანხმლები დაავადებების სახით ჰქონდათ ქრონიკული B ჰეპატიტი, აივ ინფექცია/შიდსი, აუტოიმუნური ჰეპატიტი, ღვიძლის ალკოჰოლური დაავადება (ALD), ღვიძლის არაალკოჰოლური ცხიმოვანი დაავადება (NAFLD), ღვიძლის მეტაბოლური დაავადება, ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქცია, თირკმლის უკმარისობა. მასალის სტატისტიკური დამუშავებისთვის გამოყენებულ იქნა უნივარიაციული ანალიზი. ჯგუფების შესადარებლად ვისარგებლეთ ე.წ. Pearson's chi-square და Fisher's ტესტებით. სტატისტიკური ანალიზისთვის გამოყენებული იქნა სტატისტიკური პროგრამა SAS 9.2 (SAS Institute Inc, Cary, NC, USA). P value<0.05-ს მივიჩნიეთ სტატისტიკურად სარწმუნოდ.

კვლევაში ჩაერთო სულ 1500 ქრონიკული C ჰეპატიტის მქონე ავადმყოფი. მათ შორის 1161 მამაკაცი (77%) და 339 ქალი (23%). ავადმყოფთა 82% იყო 40 წელზე მეტი ასაკის. აღსანიშნავია, რომ ღვიძლის ციროზის გართულებები ჭარბობდა მამაკაცებში ქალებთან შედარებით (74% vs. 26%, P=0.3588), ხოლო 40 წელზე მეტი ასაკის მქონე ავადმყოფებში ღვიძლის ციროზის გართულება დაფიქსირდა 91%-ში, მაშინ როცა 40 წელზე ნაკლები ასაკის მქონე ავადმყოფებში გართულებები აღინიშნა მხოლოდ 9%-ში (P<0.0001). გაანალიზდა ღვიძლის ელასტოგრაფიისა და

FIB-4 ტესტის შედეგები და ღვიძლის ციროზის გართულებები.

ღვიძლის სიხისტე ისაზღვრებოდა ღვიძლის ელასტოგრაფიით - აპარატ ფიბროსკანიის (Echosens, France) გამოყენებით, რომელიც დამყარებულია შემდეგ პრინციპზე: ულტრაბგერითი სენსორის საშუალებით იზომება ღვიძლის ქსოვილში მექანიკური ტალღის გავრცელების სიჩქარე, რის მიხედვითაც ისაზღვრება ღვიძლის სიხისტე. ეს უკანასკნელი კი კორელირებს ღვიძლის ფიბროზის ხარისხთან. სიხისტის (ელასტიურობის) საზომი ერთეულია კილოპასკალი (კპა). აპარატის მიერ განსაზღვრული სიხისტის მინიმალური მაჩვენებელია 1,5 კპა, მაქსიმალური – 75 კპა.

კვლევაში ჩართული 1500 ავადმყოფიდან 256 (17%) შემთხვევაში ღვიძლის ელასტოგრაფიით განისაზღვრა ღვიძლის სიხისტის მაჩვენებლი >12,5 კპა. მათ შორის ღვიძლის ციროზის გართულება აღენიშნა 123 (58%) ავადმყოფს.

ღვიძლის სიხისტის მაჩვენებელსა და ღვიძლის ციროზის გართულებას შორის კორელაციის დადგენის მიზნით, ღვიძლის სიხისტის მაჩვენებლების კატეგორიზაცია მოხდა შემდეგნაირად: 12,5-27,5 კპა, 27,5-37,5 კპა, 37,5-49,1 კპა, 49,1-53,7 კპა, 53,7-62,7 კპა და > 62,7 კპა (J Foucher et al. Gut. 2006 Mar; 55(3): 403–408.)

თითოეულ კატეგორიაში არსებული ღვიძლის ციროზის გართულებების მქონე ავადმყოფების რაოდენობა შედარდა 12,5 კპა-ზე ნაკლები ღვიძლის სიხისტის მქონე ავადმყოფების ჯგუფში ღვიძლის ციროზის გართულებების რაოდენობას.
მიღებული შედეგებიდან გამომდინარე 12.5 კპა-ზე ნაკლებ ღვიძლის სიხისტის მქონე ავადმყოფებთან შედარებით, 12,5-27,5 კპა კატეგორიაში ღვიძლის ციროზის გართულების განვითარების რისკი 6-ჯერ მაღალი იყო (OR: 6.32 [4.04-9.89]), 27.5-37.5 კპა კატეგორიაში თითქმის 13-ჯერ მაღალი (OR: 12.98 [7.60-22.17]), 37,5-49,1 კპა კატეგორიაში - 16-ჯერ მაღალი (OR: 15.97 [7.45-34.25]), 49,1-53,7 კპა კატეგორიაში - 65-ჯერ მაღალი (64.89 [OR:7.49-561.45]), 53,7-62,7 კპა კატეგორიაში - 16-ჯერ მაღალი (OR: 16.22 [4.28-61.48]) და 62,7 კპა-ზე მეტი ღვიძლის სიხისტის მქონე ავადმყოფებში - 52-ჯერ მაღალი (OR: 51.91 [22.06-122.16]).
FIB-4 ტესტი წარმოადგენს ღვიძლის ფიბროზის განსაზღვრის არაინვაზიურ მეთოდს სეროლოგიურ მარკერებზე (სისხლის საერთო ანალიზი, ალანინამინოტრანსფერაზა (ალტ) და ასპარტატამინოტრანსფერაზა (ასტ)) დაყრდნობით.
FIB-4 ტესტით მიღებული შედეგი >3.25-ზე არის ღვიძლის შორსწასული ფიბროზის პრედიქტორი, ხოლო FIB-4 ტესტით მიღებული შედეგი <1.45 გამორიცხავს ღვიძლის შორსწასული ფიბროზის არსებობას.
FIB-4 ტესტით მიღებული ქულა >3.25 დაფიქსირდა 144 (10%) ავადმყოფში, მათ შორის ღვიძლის ციროზის გართულება აღინიშნა 59 (28%) შემთხვევაში. FIB-4 ტესტით მიღებული ქულა >3.25 მქონე ავადმყოფებში ღვიძლის ციროზის გართულებების განვითარების რისკი 10-ჯერ მაღალი იყო (OR: 10,64 [7,24-15,91])
3,25-ზე ნაკლები FIB-4 ტესტის ქულის მქონე ავადმყოფებთან შედარებით.

II. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1				
დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

II. 4.

2	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

II. 1. პუბლიკაციები:
ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ-ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	დვალი ნ, ჩხარტიშვილი ნ, შარვაძე ლ, ქარჩავა მ, ცერცვაძე თ.	Molecular Tracing of Heterosexual HIV-1 Transmission in Georgia (საქართველოში აივ-1 ვირუსის ჰეტეროსექსუალური გზით გადაცემის მოლეკულური ეპიდემიოლოგია); Georgian Med News	246	Georgian Med News, თბილისი, საქართველო	54-9

ანოტაციები ქართულ ენაზე

კვლევის მიზანი იყო საქართველოში აივ-1 ვირუსის გადაცემის მოლეკულური ეპიდემიოლოგიის შესწავლა ჰეტეროსექსუალ წყვილებში. კვლევაში ჩართული იყო 36 აივ-1 დადებითი პირი (ანუ 18 ეპიდემიოლოგიურად დაკავშირებული წყვილი), რომლებიც არ იმყოფებოდნენ მკურნალობაზე და დაუდგინდათ გადაცემის ჰეტეროსექსუალური გზა. მოხდა ვირუსის გენოტიპის დადგენა და ფილოგენეტიკური ანალიზი. კვლევის შედეგად 14 წყვილს აღმოაჩნდა ვირუსის A სუბტიპი, 3-ს - B სუბტიპი და ერთს - G სუბტიპი. ფილოგენეტიკურმა ანალიზმა დაადასტურა ეპიდემიოლოგიური კავშირი 16 წყვილში. აქედან, 14 წყვილში გენეტიკური დისტანცია იყო 0.015-ზე ნაკლები. 5 წყვილის სისხლის ნიმუშში აღმოჩნდა A62V მუტაცია, ხოლო აქედან ოთხს ჰქონდა დამატებით V77I მუტაციაც. ქალები, რომლებიც არიან ინექციური ნარკომანების ან მაღალი რისკის ჰეტეროსექსუალური ქცევის მქონე პირების პარტნიორები, იმყოფებიან აივ ინფექციის გადაცემის მაღალი რისკის ქვეშ. საქართველოში აივ ინფექცია არ არის გავრცელებული ძირითად მოსახლეობაში, ის კონცენტრირებულია მაღალი რისკის პოპულაციაში. კვლევა ადასტურებს, რომ მდედრობითი სქესის სექსუალური პარტნიორები ასრულებენ დამაკავშირებელი ჯაჭვის როლს ძირითად მოსახლეობასა და მაღალი რისკის პოპულაციას შორის. ამდენად, პრევენციული ღონისძიებების მიმართვა მაღალი რისკის პირებსა და მათ პარტნიორებზე ხელს შეუწყობს აივ ინფექციის გავრცელების თავიდან აცილებას როგორც სპეციფიკურ პოპულაციაში, ისე მის გარეთ.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	დვალი ნ, ჩხარტიშვილი ნ, ქარჩავა მ, შარვაძე ლ, ცერცვაძე თ.	Distinct drug resistance profile of HIV-1 subtype A strain circulating in Georgia (საქართველოში მოცირკულირე აივ-1 ვირუსის A სუბტიპის შტამის წამლისადმი	240	Georgian Med News თბილისი, საქართველო	19-24

		რეზისტენტობის პროფილი); Georgian Med News			

ანოტაციები ქართულ ენაზე

კვლევის მიზანი იყო წამლისადმი რეზისტენტობის შეფასება ქართველ აივ-1 დადებით პაციენტებში, რომელთაც აღენიშნებათ ვირუსული პასუხის უშედეგობა. კვლევაში ჩართული იყვნენ მოზრდილი პაციენტები ვირუსული პასუხის უშედეგობით, რომელთაც დაუდგინდათ არვ პრეპარატებისადმი რეზისტენტული შტამების მტარებლობა 2005-2013 წლებში ჩატარებული გენოტიპირების ტესტებზე დაყრდნობით. ჩატარდა აივ-1 გენომის სეკვენირება რეზისტენტობასთან ასოცირებული მუტაციების გამოსავლენად. რეზისტენტობის მონაცემთა ინტერპრეტაციისთვის გამოყენებულ იქნა სტენფორდის აივ სეკვენსირების მონაცემთა ბაზა. კვლევაში ჩართული 193 პირიდან უმრავლესობა (86.5%) იყო ვირუსის A სუბტიპის მტარებელი და დაახლოებით 80% იმყოფებოდა ეფავირენზით მკურნალობის რეჟიმზე. ნუკლეოზიდის რევერს ტრანსკრიპტაზას ინჰიბიტორის (ნრტი) ყველაზე ხშირი მუტაცია იყო M184V - 86.0% (სულ 166), ხოლო არანუკლეოზიდის რევერს ტრანსკრიპტაზას ინჰიბიტორის (ანრტი) შემთხვევაში ყველაზე ხშირი მუტაცია იყო G190S - 54.4% (სულ 105). ანრტი-ის სხვა მნიშვნელოვანი მუტაციები იყო: K101E (31.6%, n=61), K103N (30.1%, n=58). G190S -ის პრევალენტობა იყო 62.3% A სუბტიპის მქონე პირებში, შედარებისთვის 3.8% არა A სუბტიპის მქონე პირებში (პ<0.0001). 101 -ის სიხშირეც ასევე სარწმუნოდ მაღალი იყო სუბტიპის შემთხვევაში (36.5% vs. 0%, პ<0.0001). G190S და K101E მუტაციების მაღალი პრევალენტობა განაპირობებს ვირუსის სუბტიპის სპეციფიკურ პასუხს პირველი რიგის ანრტი-ის მიმართ. ხოლო G190S-ის ხშირმა თანაარსებობამ Y181C და K101E მუტაციებთან შესაძლებელია ხელი შეუშალოს ახალი თაობის ანრტი-ის გამოყენებას სუბტიპის მქონე აივ ინფიცირებულ პაციენტებში.

II. 2. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1 2 3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ქუჩულორია თ, იმნაძე პ, მამუჩიშვილი ნ, ჩოხელი მ, ცერცვაძე თ. და სხვ.	Hospital-Based Surveillance for Infectious Etiologies Among Patients with Acute Febrile Illness in Georgia, 2008-2011 (საქართველოში ჰოსპიტალური მეთვალყურეობა მწვავე ცხელებითი დაავადების ინფექციური ეტიოლოგიის დასადგენად 2008-2011 წლებში); Am J Trop Med Hyg	2015 Oct 5. pii: 15-0400.	American Journal of Tropical Medicine and Hygiene, აშშ	ბეჭდვის პროცესში

ანოტაციები ქართულ ენაზე

2008 წლის მაისში საქართველოს ექვს საავადმყოფოში დაიწყო მწვავე ცხელებითი დაავადების ჰოსპიტალური მეთვალყურეობა. პაციენტის ჩართვის კრიტერიუმი იყო: ასაკი 4 წელი, ცხელება 38 C 48 საათის განმავლობაში ან მეტი დროით. სისხლის კულტურის და სეროლოგიური ტესტირება ჩატარდა შემდეგი გამომწვევების გამოსავლენად: ლეპტოსპირა, ბრუცელა, დასავლეთ ნილოსის ცხელების ვირუსი, ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების ვირუსი, კოქსიელა, ტკიპისმიერი ენცეფალიტის ვირუსი, ჰანტავირუსი, სალმონელა და რიკეტსია. კვლევაში ჩართული 537 პაციენტიდან 70% იყო ამბულატორიული პაციენტი, უმრავლესობა მამრობითი სქესის (54%) და საშუალო ასაკი იყო 37 წელი. პაციენტები უჩიოდნენ სისუსტეს და დაღლილობას (89%), შემცივნებას (87%), ოფლიანობას (83%), სახსრების ტკივილს (49%) და ძილის დარღვევებს (42%). 39 პაციენტი (7%) სეროპოზიტიური აღმოჩნდა სალმონელაზე, 37 პაციენტი (7%) – ბრუცელაზე, 36 პაციენტი (7%) – ტკიპისმიერი ენცეფალიტის ვირუსი, 12 პაციენტი (2%) – ლეპტოსპირაზე, 10 პაციენტი (2%) - კოქსიელაზე და 3 პაციენტი (0.6%) - სალმონელა ტიფზე. არცერთი კვლევაში ჩართული პაცენტი არ იყო დადებითი დასავლეთ ნილოსის ცხელების ვირუსის ანტისხეულებზე. პაციენტების 73%-ს არ აღმოაჩნდა არცერთი ზემოთ ჩამოთვლილი პათოგენი. ჩატარებული კვლევა გვიჩვენებს, რომ

ზემოთ ჩამოთვლილი პათოგენების უმრავლესობა წარმოდგენილია საქართველოში და საჭიროა ლაბორატორიული რესურსის გაზრდა ამ ინფექციური დაავადებების დიაგნოსტიკისათვის.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	მიტრუკა კ, ცერცვაძე თ, ბუწაშვილი მ. და სხვ.	Launch of a Nationwide Hepatitis C Elimination Program--Georgia, April 2015 (C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამა საქართველოში. MMWR Morb Mortal Wkly Rep	64 (28)	MMWR Morb Mortal Wkly Rep. აშშ	753-7
ანოტაციები ქართულ ენაზე					

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3					

ანოტაციები ქართულ ენაზე

C ჰეპატიტის ვირუსით (HCV) მსოფლიოში დაახლოებით 130-150 მილიონი ადამიანია დაინფიცირებული და დაახლოებით 700 000 ადამიანი იღუპება ყოველწლიურად ჰეპატოცელულური კარცინომის ან ციროზის გართულებებით. საქართველოში C ჰეპატიტის პრევალენტობა ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მსოფლიოში. 2013 წლიდან, როდესაც C ჰეპატიტის სამკურნალო ახალი ორალური მედიკამენტების ლიცენზირება მოხდა, საქართველომ მოიძია პარტნიორები C ჰეპატიტის პრევენციისა და კონტროლის გეგმის გასავითარებლად, რომლის პროცესშიც C ჰეპატიტის ელმინაციის კონცეფცია ჩამოყალიბდა. C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის განსახორციელებლად საქართველომ მხარდაჭერისთვის მიმართა დაავადებათა კონტროლის ცენტრს (CDC), რათა ამ უკანასკნელს მოეხდინა H CV ეპიდემიოლოგიის აღწერა, ლაბორატორიული და ჯანმრთელობის სექტორის რესურსების შეფასება, და პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების წარმართვა. ანგარიშის მიზანია იმ მოსამზადებელი აქტივობების აღწერა, რომლებიც ჩატარდა აღნიშნული პროგრამის დაწყებამდე და საწყისი ფაზის ადრეული შედეგების მიმოხილვა. 2015 წლის მაისში მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამა. შეირჩა ოთხი კლინიკა თავისი ლაბორატორიებით, როგორც საწყისი პილოტური პროგრამის განხორციელების ადგილი. ივნისიდან მათ დაემატა კიდევ სამი სამედიცინო ცენტრი. 2015 წლის 3 ივლისისთვის პროგრამაში დარეგისტრირდა C ჰეპატიტით დაავადებული სულ 9 491 პირი. მათგან 1 474 (97.0%) დაიწყო მკურნალობა. საქართველო აფასებს რესურსებს ქვეყანაში C ჰეპატიტის მკურნალობის მოთხოვნილების

დასაკმაყოფილებლად და H CV -სთან და სხვა პარტნიორებთან თანამშრომლობით ავითარებს C ჰეპატიტის ელიმინაციის გეგმას, რომელიც მოიცავს სპეციფიკურ მიზნებს და მათი მიღწევის ღონისძიებებს.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	ქარჩავა მ, ვალდენსტრომი ჯ, პარკერი მ, ჰალაკი რ, შარვაძე ლ, გაწერელია ლ, ჩხარტიშვილი ნ, დვალი ნ, ძიგუა ლ, დოლმაზაშვილი ე, ნორდერი ჰ. და ცერცვაძე თ.	High incidence of the hepatitis C virus recombinant 2k/1b in Georgia: Recommendations for testing and treatment C ჰეპატიტის ვირუსის 2k/1b რეკომბინანტის მაღალი სიხშირე საქართველოში. რეკომენდაცია ტესტირებისა და მკურნალობისთვის. Hepatol Res	2015 Feb 16. doi: 10.1111/hepr.12505.	Hepatol Res იაპონია	ბეჭდვის პროცესში

ანოტაციები ქართულ ენაზე

C ჰეპატიტის ვირუსის პირველი რეკომბინანტი RF2k/1b პირველად აღწერეს რუსეთში, რის შემდეგაც ის ასევე გამოვლინდა ირლანდიაში, ესტონეთში, უზბეკეთში და კვიპროსში. უმრავლესობა ამ პაციენტებისა წარმოშობით საქართველოდან იყო. თუმცა არ არსებობს ინფორმაცია ამ რეკომბინანტის პრევალენტობასა ან ანტივირუსული პრეპარატების მიმართ მის მგრძნობელობაზე. ამ საკითხის დასადგენად ჩვენ მოვახდინეთ H C V გენომის არა-სტრუქტურული 5B (NS5B) რეგიონის რეტროსპექტული სეკვენსირება 72 ქართველ პაციენტში, რომელთაგან 36 იმყოფებოდა პეგილირებული ინტერფერონისა და რიბავირინის რეჟიმზე. შედეგებმა აჩვენა, რომ 32 პაციენტი (44.5%) ინფიცირებული იყო გენოტიპით 1, 21 პაციენტი (29.2%) - გენოტიპით 2 და 19 (26.3%) – გენოტიპით 3. შტამების NS5B სეკვენსირების ანალიზის შედეგად გენოტიპებისთვის 1 და 3 მიღებულ იქნა კონკორდანტული შედეგები, ხოლო გენოტიპი 2-ის შემთხვევაში – დისკორდანტული შედეგები, რადგან 16 პაციენტს (76%) აღმოაჩნდა 1ბ სუბტიპის NS5B რეგიონი. ფილოგენეტიკური ანალიზის მიხედვით, ამ შტამების 15 NS5B სეკვენსი ფორმირებული იყო რეკომბინანტი RF2k/1b შტამებით. დანარჩენი დისკორდანტული სეკვენსი ფორმირებული იყო 1ბ შტამით. კვლევის შედეგები მოწმობს, რომ RF2k/1b რეკომბინანტული შტამი ხშირია ქართველ პაციენტებში, რომლებიც მანამდე მოიაზრებოდნენ გენოტიპი 2-ით ინფიცირებულებად. რადგან გენოტიპის განსაზღვრა ძირითადად მკურნალობის სტრატეგიის დასადგენად სრულდება, საჭიროა შტამის სულ მცირე ორი გენომური რეგიონის ანალიზის ჩატარება გენოტიპი 2-ით ინფიცირებულ ქართველ პაციენტებში HCV გენოტიპირების სტანდარტული მეთოდებით.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	ჩხარტიშვილი ნ, შარვაძე ლ, ჩოკოშვილი ო, დეჰოვიცი ჯ, დელ რიო კ,	The cascade of care in the Eastern European country of Georgia (საქართველოში აივ	2015 Jan;16(1):62-6. doi: 10.1111/hiv.1217 .	HIV Med, დიდი ბრიტანეთი	ბეჭდვის პროცესში

	ცერცვაძე თ. .	ინფექცია /შიდსის მკურნალობის კასაკადი) HIV Med			

ანოტაციები ქართულ ენაზე

კვლევის მიზანი იყო საქართველოში აივ ინფექცია/შიდსით დაავადებულთა მკურნალობის უწყვეტობის შეფასება. კვლევაში ჩართული იყო ყველა მოზრდილი პაციენტი (ასაკით 18 წელი), რომლებსაც დაესვათ აივ ინფექციის დიაგნოზი 1989 წლის იანვრიდან 2012 წლის ივნისამდე. მონაცემების შეგროვება მოხდა შიდსის ცენტრის მონაცემთა ბაზიდან 2012 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით. გამოიყო აივ ინფიცირებულთა მკურნალობის უწყვეტობის შემდეგი სტადიები: აივ ინფიცირებული, დიაგნოსტირებული აივ ინფექცია, სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი, პაციენტები, რომლებიც აგრძელებენ მკურნალობას, პაციენტები, რომლებიც საჭიროებენ არვ მკურნალობას და ვირუსული სუპრესიის მქონე პაციენტები. საქართველოში რეგისტრირებული აივ ინფიცირებული 3295 მოზრდილი პაციენტიდან 2545 ინფიცირებული პირი ცოცხალი იყო 2012 წლის 1 ოქტომბრისთვის, რაც შეადგენს ქვეყანაში სავარაუდო აივ ინფიცირებული 4900 პირის 52%-ს. აღნიშნული 2545 აივ ინფიცირებული პირიდან 2135 (84%) იმყოფებოდა სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ და 1847 (73%) პაციენტი აგრძელებდა მკურნალობას. 1446 პაციენტიდან, რომლებიც საჭიროებდნენ არვ მკურნალობას, 1273 (88%) იმყოფებოდა არვ მკურნალობაზე და 985 (77%) პაციენტის ვირუსული დატვირთვა იყო < 400 აივ-რნმ ასლი/მლ-ში. მთლიანობაში, დიაგნოსტირებული პირების 39-ს და ინფიცირებულთა 20%-ს აღენიშნა ვირუსული დატვირთვის სუპრესია. ჩვენი კვლევა მოწმობს, რომ საქართველოში აივ ინფექციის მქონე პირების უმრავლესობა აგრძელებს მკურნალობას. მკურნალობის შეწყვეტა ხდება აივ ინფიცირებულთა მკურნალობის უწყვეტობის ნებისმიერ სტადიაზე, მაგრამ მთავარი პრობლემა გვხვდება აივ დიაგნოსტიკის ეტაპზე. აივ ინფექციის მქონე არადიაგნოსტირებული პირების რაოდენობის შემცირება და უწყვეტ მკურნალობაში ჩართვა გადამწყვეტი ასპექტია არვ მკურნალობის მაქსიმალური სარგებლის მისაღებად.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3	**ლალი შარვაძე, აკაკი აბუთიძე, ნელსონ კენრადი, შოთა გოგიჩაიშვილი, ნინო ყიფიანი, ნინო ბადრიძე, თენგიზ ცერცვაძე**	B ჰეპატიტის მიმოხილვა საქართველოში	ევრაზიის ინფექციურ დაავადებათა მე-7 საერთაშორისო კონგრესი ქ. თბილისი, საქართველო 30 სექტემბერი - 3 ოქტომბერი, 2015 წ.

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

მსოფლიოში ორი მილიარდზე მეტი ადამიანია ინფიცირებული HBV-ით, მათ შორის 360 მილიონზე მეტს აქვს ქრონიკული B ჰეპატიტი. B ჰეპატიტი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემაა საქართველოში.

მეთოდები: საქართველოში B ჰეპატიტის სიტუაციის აღსაწერად განვიხილეთ არსებული ლიტერატურა, რომელიც მოიცავდა ზედამხედველობის მონაცემებს და საექსპერტო ანალიზის პუბლიკაციებს. მოსახლეობაში HBV გავრცელების (პრევალენტობის) ერთი კვლევა ჩატარდა 2008-2009 წელს. მოსახლეობის სხვადასხვა რისკის ჯგუფებში HBV სეროპრევალენტობის და სეროინსიდენტობის მსგავსი პროსპექტული კვლევები ჩატარდა 1997-1999 და 2000-2001 წლებში.

შედეგები: ზოგადი მოსახლეობის კვლევის მიხედვით მოზრდილთა შორის ქრონიკული B ჰეპატიტის პრევალენტობამ შეადგინა 1.7%. პროსპექტულმა კვლევამ გამოავლინა B ჰეპატიტის მაღალი პრევალენტობა ყველა მაღალი რისკის ჯგუფში. HBV ყველაზე მაღალი პრევალენტობა გამოვლინდა ინტრავენურ ნარკომანებში (12%-ში HBsAg და 57%-ში HBV-ის ერთ-ერთი სერომარკერი მაინც), სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების მქონე პაციენტებში (5.5%-ში HsAg და 18.1%-ში HBV-ის ერთ-ერთი სერომარკერი მაინც), მდედრობითი სქესის სექს-მუშაკებში (4%-ში HBsAg და 16%-ში HBV-ის ერთ-ერთი სერომარკერი მაინც), სისხლის დონორებში (3.3%-ში HBsAg და 8.4%-ში HBV-ის ერთ-ერთი სერომარკერი მაინც) და ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებში (5.4%-ში HBsAg და 9.6%-ში HBV-ის ერთ-ერთი სერომარკერი მაინც). HBV ინსიდენტობა ასევე მაღალი იყო ინტრავენურ ნარკომანებში - 10.9 - 100 პირზე -წელიწადში. HBV პრევალენტობის კვლევამ HIV ინფიცირებულებში გამოავლინა ქრონიკული B ჰეპატიტის (HBsAg პოზიტიური) პრევალენტობა შემთხვევათა 6.9%-ში.

საქართველოში ხორციელდება B ჰეპატიტის მართვის ყველა თანამედროვე სადიაგნოსტიკო და სამკურნალო მეთოდები. B ჰეპატიტის მკურნალობა რეგულირდება ეროვნული გაიდლაინის / პროტოკოლის საფუძველზე, რომელიც შედგენილია ევროპის ღვიძლის შემსწავლელი და ამერიკის ღვიძლის დაავადებათა შემსწავლელი ასოციაციების გაიდლაინების მიხედვით.

ამჟამად არც სახელმწიფო და არც კერძო სადაზღვევო კომპანიები არ ფარავენ B ჰეპატიტის მკურნალობას. თუმცა, გლობალური ფონდის მხარდაჭერით აივ / HBV კო-ინფიცირებული პაციენტები უზრუნვრლყოფილი არიან B ჰეპატიტის მკურნალობის უფასო ხელმისაწვდომობით.

დასკვნა: მიუხედავად B ჰეპატიტის დაბალი პრევალენტობისა ზოგად მოსახლეობაში, HBV ინფექცია კონცენტრირებულია მაღალი რისკის ჯგუფებში, განსაკუთრებით ინტრავენურ ნარკომანებში. საჭიროა განახლდეს ინფორმაცია ზოგადად HBV ტვირთის შესახებ, რომელიც ასევე მოიცავს HBV დაკავშირებული ავადობისა და სიკვდილიანობის მონაცემებს.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3	თენგიზ ცერცვაძე, მარინე ენდელაძე, შორენა დვალი, მარინე ეზუგბაია, აკაკი აბუთიძე, ეკატერინე ხმალაძე, ხათუნა ზახაშვილი, არჩილ ნავდარაშვილი, პაატა იმნაძე.	ახალი ორთოპოქსვირუსული ინფექცია საქართველოში	ევრაზიის ინფექციურ დაავადებათა მე-7 საერთაშორისო კონგრესი ქ. თბილისი, საქართველო 30 სექტემბერი - 3 ოქტომბერი, 2015 წ.

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

მას შემდეგ, რაც ყვავილი იქნა აღმოფხვრილი მსოფლიოში და ყვავილის საწინააღმდეგო რუტინული ვაქცინაცია შეწყდა, ორთოპოქსვირუსის ახალი სახეობის დნმ-ის გამოვლენა საზოგადოებრივი ჯანდაცვის მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა.

2013 წლის ივნისში, აშშ-სა და საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრების მიერ გამოკვლეული იქნა ნიმუშები, რომლებიც აღებული იყო ძროხის ყვავილის საეჭვო დიაგნოზის მქონე ორი მწყემსიდან. ჩვენ აღვწერეთ გამოვლენილი ვირუსის კლინიკური და ეპიდემიოლოგიური თავისებურებები.

ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრს მომართა ოცდაოთხი წლის მანამდე ჯანმრთელმა მამაკაცმა, მწყემსმა, ახმეტის რაიონიდან, დაავადების მე-14 დღეს. დაავადება დაეწყო ხელებზე მტკივნეული, მუქი მოლურჯო ფერის გამონაყრით, რომელიც შემოსაზღვრული იყო მოწითალო კიდით. შემოსვლისას პაციენტს ჰქონდა სიცხე (39ºc), მარჯვენა წინამხრის შეშუპება. გასინჯვით გამოვლინდა მარჯვენა იღლიის ლიმფადენოპათია. სხვა ორგანოები და სისხლის საერთო ანალიზი პათოლოგიური ცვლილებების გარეშე.

ეჭვი იქნა მიტანილი ჯილეხის კანის ფორმაზე და კანის დაზიანებული უბნებიდან აღებული მასალა გაიგზავნა ლაბორატორიული გამოკვლევებისათვის (PCR).

პაციენტის ავადმყოფობამდე ათი დღით ადრე მის ძროხებს ჰქონდათ კანის დაზიანებები ცურზე,

მაგრამ, ყველა ძროხა სრულად გამოჯანმრთელდა. თან პაციენტის კანზე წარმონაქმნებს არ ჰქონდათ ჯილეხის წყლულისთვის დამახასიათებელი ტიპიური სახე, ამიტომ ჯილეხის დიაგნოზი იყო საკამათო. PCR ტესტმა გამორიცხა ჯილეხის არსებობა, რის შემდეგაც ეჭვი იქნა მიტანილი ძროხის ყვავილზე.

სისხლის შრატი გაიგზავნა ორთოპოქსვირუსის საწინააღმდეგო IgM და IgG ანტისხეულების, ხოლო კანის დაზიანებული უბნებიდან აღებული ნიმუშები Real-time PCR-ით ორთოპოქსვირუსის დნმ-ის გამოსავლენად.

პირველი პაციენტის ცუდად გახდომიდან დაახლოებით ათი დღის შემდეგ, ხელებზე მსგავსი დაზიანებები გამოუვლინდა იმავე ნახირის ოცდათექვსმეტი წლის მწყემსს. მასაც ჰქონდა იგივე სიმპტომები: ცხელება, მარცხენა წინამხრის შეშუპება, მარცხენა იღლიის ლიმფადენოპათია. ჩატარებული გამოკვლევებით ჯილეხი გამოირიცხა და მასთანაც ეჭვი იქნა მიტანილი ძროხის ყვავილზე. მასალა გაიგზავნა ლაბორატორიაში ორთოპოქსვირუსზე ტესტირებისათვის.

სეროლოგიურმა ტესტირებამ და ორთოპოქსვირუსის დნმ-ზე ჩატარებულმა მოლეკულურ-ბიოლოგიურმა კვლევამ დაადასტურა რომ პაციენტები ინფიცირებული იყვნენ ორთოპოქსვირუსით. შემდგომმა მოლეკულურმა ანალიზმა კი დაადგინაა, რომ გამოვლენილი დნმ არ მიეკუთვნება ადრე ცნობილ ორთოპოქსვირუსის სახეობას. სრული გენომის სეკვენსირებამ და ფილოგენეტიკურმა ანალიზმა აღმოჩენა ორთოპოქსვირუსის ახალი, მანამდე უცნობი სახეობა.

ეს იყო ორთოპოქსვირუსული ინფექციის პირველი გამოვლენა საქართველოში. პაციენტებს მსგავსი სპეციფიკური კლინიკური გამოვლინებებით და ეპიდემიოლოგიური ანამნეზით საჭიროა ჩაუტარდეთ ტესტირება ორთოპოქსვირუსულ ინფექციაზეც.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3	მარინა ენდელაძე, ალექსანდრე გოგინავა, გიორგი ცინცაძე, მარინე ეზუგბაია, ნანა მამუჩიშვილი, თენგიზ ცერცვაძე.	მარსელის ცხელება საქართველოში. შემთხვევის აღწერა	ევრაზიის ინფექციურ დაავადებათა მე-7 საერთაშორისო კონგრესი ქ. თბილისი, საქართველო 30 სექტემბერი - 3 ოქტომბერი, 2015 წ.

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

Rickettsia conorii-ით გამოწვეული ხმელთაშუა ზღვის ლაქოვანი ცხელება ფართოდაა გავრცელებული სამხრეთ ევროპაში (მარსელის ცხელება), აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში. ჩვენ აღვწერეთ საქართველოში ამ დაავადების კლინიკური და ეპიდემიოლოგიური თავისებურებები.

2015 წლის 15 აპრილს ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრში მოთავსდა თბილისში, საბურთალოს რაიონში მცხოვრები ორმოცდაორი წლის მამაკაცი დიაგნოზით დაუზუსტებელი ცხელება.

პაციენტს დაავადება დაეწყო მაღალი ცხელებით, შემცივნებით, ოფლიანობით, სახსრებისა და თავის ტკივილით და უძილობით. დაავადების მე-4 დღიდან ლაქოვან-კვანძოვანი გამონაყარი გაუჩნდა მუცლის და გულმკერდის მიდამოში, რაც შემდეგ გავრცელდა მთელს სხეულზე, მათ შორის ხელის და ფეხისგულებზე. მარცხენა ფეხის ქვედა მესამედში, კერძოდ, მედიალური ზედაპირზე ნანახი იქნა მკვეთრი რკალით შემოსაზღვრული სამი უმტკივნეულო ინფილტრატი, ცენტრში მუქი ფერის დაზიანებით (პირველადი ეფექტი). დაავადებამდე სამი დღით ადრე პაციენტს აღნიშნულ ადგილზე უკბინა ძაღლის ტკიპამ (იგი ხელით აცლიდა ძაღლს ტკიპებს).

კლინიკური და ეპიდემიოლოგიური ანამნეზის გათვალისწინებით ეჭვი იქნა მიტანილი მარსელის ცხელებაზე. ემპირიულად დაინიშნა მკურნალობა დოქსიციკლინით - 0,1გ დღეში ორჯერ. გასინჯვისას გამოვლინდა კერერის სიმპტომები, კისრის კუნთების სუსტი რიგიდობა და ორმხრივი ჰორიზონტალური ნისტაგმი. პაციენტის სისხლი გაიგზავნა ბრუცელოზის, ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების, ლაიმის დაავადების, Q ცხელების, მარსელის ცხელების და

სხვა რიკეტსიოზების გამოსაკვლევად. დაავადების მე -10 დღეს Rickettsia conorii IgM ანტისხეულები სისხლში აღმოჩნდა დადებითი - 27.2 IU/ml (გარდამავალი ზონა 9-11 IU/ml). Rickettsia conorii IgG ანტისხეულებიც დადებითი - 15.1 IU/ml (გარდამავალი ზონა 9-11 IU/ml.). დადასტურდა მარსელის ცხელების დიაგნოზი.

მკურნალობის დაწყებიდან 4 დღეში პაციენტის მდგომარეობა გაუმჯობესდა. მე-9 დღეს გაწერა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში, ამბულატორიული მეთვალყურეობის ქვეშ. გაწერიდან 3 კვირაში განმეორებით ჩაუტარდა სეროლოგიური ტესტირება, რომელმაც აჩვენა, Rickettsia conorii IgM დადებითი (13.7 IU / ml) და Rickettsia conorii IgG დადებითი (29,5 IU/ ml). პაციენტს ჰქონდა მკურნალობაზე კარგი შედეგი, ნარჩენი მოვლენების გარეშე.

ეს არის საქართველოში მარსელის ცხელების პირველი, კარგად დოკუმენტირებული, ლაბორატორიულად (სეროლოგიურად) დადასტურებული შემთხვევა.

ჩვენს რეგიონში ასეთი შემთხვევის არსებობის გათვალისწინებით Rickettsia conorii-ზე სეროლოგიური ტესტირება რეკომენდებული უნდა იყოს ვექტორით გადამტანი დაავადებების მაღალი რისკის მქონე ყველა პაციენტისათვის.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3	***თ. ცერცვაძე, შ. გოგიჩაიშვილი, ვ. ქერაშვილი, მ. ჯამუტაშვილი, ე. დოლმაზაშვილი, თ. რუხაძე, მ. სვანიძე, ნ. ჩხარტიშვილი, ლ. შარვაძე***	C ჰეპატიტის კლინიკური მენეჯმენტი საქართველოში	ევრაზიის ინფექციურ დაავადებათა მე-7 საერთაშორისო კონგრესი ქ. თბილისი, საქართველო 30 სექტემბერი - 3 ოქტომბერი, 2015 წ.

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

C ჰეპატიტი წარმოადგენს ჯანდაცვის და სოციალურ პრობლემას როგორც მთელ მსოფლიოში, ისე საქართველოში. 2011 წელს საქართველოში დაიწყო C ჰეპატიტის უფასო მკურნალობის პროგრამა პეგილირებული ინტერფერონითა და რიბავირინით აივ ინფიცირებულ პაციენტებში და პატიმრებში. ასევე სამოქალაქო სექტორში შესაძლებელი გახდა C ჰეპატიტის მკურნალობა 60%-იანი ფასდაკლებით და ამ პროგრამის ფარგლებში 1674 პაციენტს ჩაუტარდა მკურნალობა.

2015 წლის აპრილიდან აშშ დაავადებათა კონტროლის ცენტრის და ფარმაცევტული კომპანია გილეადის მხარდაჭერით საქართველოში დაიწყო C ჰეპატიტის ელიმინაციის ნაციონალური პროგრამა. ამ პროგრამის მიზანს წარმოადგენს HCV ელიმინაცია ქვეყანაში. პირველ ეტაპზე მკურნალობა ჩაუტარდება 5000 პაციენტს, რომლებშიც გამოხატული იყო ღვიძლის ციროზი ან შორს წასული ფიბროზი, ასევე ექსტრაჰეპატური გამოვლინებები. პრიორიტეტულ ჯგუფში შედიოდნენ HIV/HCV კო-ინფიცირებული პაციენტები. 2015 წლის აგვისტოს მონაცემებით პროგრამაში დარეგისტრირდა 10000 C ჰეპატიტის მქონე პაციენტი. 3024 პაციენტს დაეწყო C ჰეპატიტის მკურნალობა და მათ შორის 85%-ში მიღწეულ იქნა ადრეული ვირუსული პასუხი. არსებული მონაცემები არის იმედის მომცემი, იმის გათვალისწინებით, რომ პირველ ეტაპზე მკურნალობა დაეწყო ღვიძლის მძიმე დაზიანების მქონე პაციენტებს.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3	ნ. დვალი, მ. ქარჩავა, ნ. ჩხარტიშვილი, ლ. შარვაძე, ი ბურჯანაძე, მ. პარკერი, ჯ. დეჰოვიცი, კ. ნელსონი, კ.	ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის მოლეკულური ეპიდემიოლოგია საქართველში	ევრაზიის ინფექციურ დაავადებათა მე-7 საერთაშორისო კონგრესი ქ. თბილისი, საქართველო 30 სექტემბერი - 3 ოქტომბერი,

	დელ რიო, თ. ცერცვაძე		2015 წ.

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

თეზისის მიზანს წარმოადგენდა ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის მოლეკულური ეპიდემიოლოგიის შესწავლა საქართველოში.

კვლევაში ჩაერთო 218 ახალ დიაგნოზირებული აივ ინფიცირებული პაციენტი. მათ შორის მამაკაცი 138 (63.3.%) და საშუალო ასაკი 35 წელი. გადაცემის გზა 53%-ში იყო ჰეტეროსექსუალური კონტაქტი, 37.6%-ში ნარკოტიკების ინექციური მოხმარება, ხოლო 6.9%-ში ჰომოსექსუალური კონტაქტი. 195 პაციენტი (89.4%) დაინფიცირებული იყო A სუბტიპის ვირუსით, 15 პაციენტი (6.9%) B სუბტიპის ვირუსით და 6 პაციენტი (2.7%) G სუბტიპის ვირუსით. მხოლოდ თითო-თითო შემთხვევა იყო F სუბტიპით და რეკომბინანტული AB_03 ფორმით ინფიცირების. ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლებისა და ჰეტეროსექსუაური კონტაქტით დაინფიცირებული პაციენტების 93%-ს ჰქონდა A სუბტიპი, ხოლო ჰომოსექსუალური კონტაქტით დაინფიცირებული პაციენტების 60%-ს B სუბტიპი. გამოკლვეული სინჯებიდან 49 სექვენსი გაერთიანდა 17 „გადაცემის კლასტერად“, რომელთა უმეტესობა (71%) იყო წყვილი. ყველაზე დიდი კლასტერი აერთიანებდა 8 სექვენსს და დომინირებდა ჰომოსექსუალური გზით დაინფიცირებულ პირებში.

კვლევის შედეგად მიღებულ იქნა დასკვნა, რომ საქართველოში პრედომინანტური არის A სუბტიპი. ნარკოტიკების ინექციური მოხმარებისა და ჰეტეროსექსუალური კონტაქტის გზით გავრცელებულ ეპიდემიას შორის არსებობს მჭიდრო კავშირი, ხოლო ჰომოსექსულური კონტაქტის გზით ეპიდემია დამოუკიდებლად ვითარდება.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3	ნ. ბოლოკაძე, ა. აბუთიძე, ნ. ჩხარტიშვილი, ლ. შარვაძე, ფ. გაბუნია, თ. ცერცვაძე	B და C ჰეპატიტები აივ ინფიცირებულ პაციენტებს შორის საქართველოში	ევრაზიის ინფექციურ დაავადებათა მე-7 საერთაშორისო კონგრესი ქ. თბილისი, საქართველო 30 სექტემბერი - 3 ოქტომბერი, 2015 წ.

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

თეზისის მიზანს წარმოადგენდა აივ ინფიცირებულ პაციენტებს შორის B და C ჰეპატიტების გავრცელების და მკურნალობის შედეგების შესწავლა.

აივ ინფიცირებული პაციენტების დაახლოებით 7% არის კოინფიცირებული B ჰეპატიტით, ხოლო 49% C ჰეპატიტით. 2011 წლის დეკემბრიდან 2015 წლის მაისამდე C ჰეპატიტის ორმაგი თერაპია პეგილირებული ინტერფერონით და რიბავირინით ჩაუტარდა 420 აივ ინფიცირებულ პაციენტს. მამაკაცები შეადგენდნენ დაახლოებით 88%-ს და საშუალო ასაკი იყო 41 წელი (დიაპაზონი 18-58). გადაცემის ძირითადი გზა იყო ნარკოტიკების ინექციური მოხმარება. C ჰეპატიტის გამომწვევი ვირუსის გენოტიპებიგანაწილდაშემდეგნაირად: 139 აივ ინფიცირებული პაციენტი (33%) იყო კოინფიცირებული 1 გენოტიპით, 109 პაციენტი (26%) 2 გენოტიპით და 172 პაციენტი (41%) 3 გენოტიპით. 183 პაციენტმა წარმატებით დაასრულა მკურნალობის კურსი, მათ შორის 122 პაციენტში მიღწეულ იქნა მყარი ვირუსული პასუხი, 15 პაციენტში დაფიქსირდა რელაფსი, ხოლო 46 პაციენტი იმყოფება მეთვალყურეობის ქვეშ.

მიუხედავად იმისა, რომ აივ ინფიცირებულ პაციენტებში B და C ჰეპატიტების უფასო მკურნალობა

უნივერსალურად ხელმისაწვდომია, ვირუსული ჰეპატიტებით კოინფექცია წარმოადგენს მნიშვნელოვან პრობლემას. 2015 წლის მაისიდან საქართველოში დაიწყო C ჰეპატიტის ელიმინაციის ნაციონალური პროგრამა, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ღვიძლის მძიმე დაზიანებით განპირობებულ ავადობას და სიკვდილობას.

1.	ალექსანდრე კუხიანიძე (მომხსენებელი)	პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია: დემოკრატიზაცია თუ კრიმინალიზაცია?	თსუ, 2015 წლის 25-27 ივნისი

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1990 წლების პირველ ნახევარში, იბეჭდებოდა უამრავი ნაშრომი დემოკრატიზაციის მესამე ტალღის შესახებ. თუმცა, იმავე ათწლეულის მეორე ნახევარში თემატიკას დაემატა ახალი გამოკვლევები პოსტსაბჭოთა კრიმინალიზაციის შესახებ. პოლიტიკის მეცნიერთა წინაშე დადგა დილემა: რა გზას დაადგა პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია - დემოკრატიზაციას თუ კრიმინალიზაციას. ამ საკითხზე პასუხი დამოკიდებულია პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ სიტუაციაზე ცალკედ აღებულ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. მოცემულ პრეზენტაციაში წარმოდგენილი ანალიზი, ჩატარებულია ხუთი ქვეყნის მაგალითზე: საქართველო, რუსეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი და სომხეთი.
პრეზენტაციის ძირითადი დებულებები:

1. დემოკრატიზაცია გულისხმობს საზოგადოების პერმანენტულ რეფორმირებას და ბრძოლას

პოლიტიკური ძალაუფლების კრიმინალიზაციის წინააღმდეგ;

2. დემოკრატიზაცია შეიცავს მოდერნიზაციას, მაგრამ მხოლოდ მოდერნიზაცია ნიშნავს ავტორიტარული რეჟიმის მშენებლობას;

3. საკითხი იმის შესახებ, თუ რა არის პირველი - ნავთობი და გაზი თუ დემოკრატია და კანონის უზენაესობა - წარმოადგენს გადამწყვეტ ფაქტორსსაზოგადოების დემოკრატიზაციის ან კრიმინალიზაციის პროცესში;

4. პოსტსაბჭოთა ქვეყანა, რომელსაც არ გააჩნია ნავთობი და გაზი, დაადგება დემოკრატიზაციის გზას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აირჩევს ევროპული ფასეულობების დამკვიდრებისა და კომპლექსური რეფორმების გზას;

5. დანაშაული დამახასიათებელია ყველა სახელმწიფოსათვის, მაგრამ განსხვავება დემოკრატიასა და ავტორიტარულ მმართველობას შორის მდგომარეობს იმაში, რომ დემოკრატია შეუთავსებელია დანაშაულთან, მაშინ როცა ავტორიტარული მმართველობა შეიცავს დანაშაულს, როგორც მისი არსებობის ინტეგრალურ ნაწილს;

6. საქართველოს ახასიათებს გაყოფილი საზოგადოების სინდრომი, რომელიც სერიოზულად ასუსტებს დემოკრატიის მშენებლობას, ნდობას სამართალდამცავი ინსტიტუტების მიმართ და ხელს უწყობს დანაშაულის არსებობას. მიუხედავად ამისა, სტრატეგიული თვალსაზრისით, საქართველოს პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციაწარმოადგენს დემოკრატიზაციის კრიმინალიზაციაზე გამარჯვების ისტორიას.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
2.	ალექსანდრე კუხიანიძე (მომხსენებელი)	საქართველო-რუსეთი: რეგიონული უსაფრთხოება სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში.	ქ. ქობულეთი, 2015 წ., 5 მაისი

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

ცივი ომის დამთავრების შემდეგ, უსაფრთხოების ცნების შინაარსი გაფართოვდა. კრემლის ელიტისთვის უკრაინასთან ომის გადაზრდა რუსეთ-დასავლეთის კონფლიქტში წარმოადგენს ძალაუფლების შენარჩუნების საშუალებას და არ ეფუძნება პოლიტიკურ იდეოლოგიას. საბჭოთა პერიოდთან შედარებით, ასეთი წინააღმდეგობა "ფერად რევოლუციებზე" რეაქციას ატარებს და არ არის დაკავშირებული პოლიტიკურ ფასეულობათა მწყობრ სისტემასთან, როგორიც იყო კომუნისტური იდეოლოგია. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში რუსეთი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად საფრთხეს შემდეგი ასპექტების გათვალისწინებით: რუსეთის შიდა პოლიტიკა (კორუფცია, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული, რადიკალური ნაციონალიზმი და კრიმინალური ავტორიტარიზმი); სამხედრო ბაზები აფხაზეთში, სახრეთ ოსეთში და გიუმრიში; რუსეთის რბილი პოლიტიკა, როგორც საქართველოს კონტროლის საშუალება; რუსული პროპაგანდა, როგორც ნაციონალური უსაფრთხოების მუქარა; რუსეთის

მიერ საქართველოს ნატოში ინტეგრაციის ჩაშლისკენ მიმართული პოლიტიკა.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
3.	ალექსანდრე კუხიანიძე (მომხსენებელი და ორგანიზატორი)	საქართველოს ნატოში ინტეგრაცია უსაფრთხოების გამოწვევების კონტექსტში	თსუ, 2015 წ., 3 აპრილი

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, სამეცნიერო–პრაქტიკული სემინარი რელევანტურია საქართველოს საგარეო პოლიტიკის კურსთან, ჩვენი ქვეყნის ევრო-ატლანტიკურ მისწრაფებებთან. სემინარი განიხილავს საქართველოს ნატოში ინტეგრაციას, უსაფრთხოების გამოწვევების კონტექსტში.
საქართველოს ევრო-ატლანტიკური მისწრაფება არის საქართველოს მოსახლეობის არჩევანი და შესაბამისად ეს შეუქცევადი პროცესია.საქართველოსსაგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს ნატო-ში გაწევრიანება და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნატო-ს როლს ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების საქმეში. ნატო-საქართველოს ურთიერთობები 1992 წლიდან დაიწყო, როდესაც საქართველო შეუერთდა ნატოს ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს (NACC), რომელიც 1997 წელს შეიცვალა ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოთი (EAPC - Euro-Atlantic Partnership Council). ხოლო 1994 წელს საქართველო გახდა ნატო-ს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ (PfP - Parntnership for Peace) პროგრამისთანამონაწილე. 2002 წელს კი ნატო-ს პრაღის სამიტზე საქართველომ გააკეთა ოფიციალური განაცხადი ქვეყნის ალიანსში გაწევრიანებასთან დაკავშირებით.
საქართველო, როგორც ევროატლანტიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი სახელმწიფო, აქტიურად არის ჩართული ნატო-ს ეგიდით წარმოებულ სამშვიდობო ოპერაციებში. საკუთარი წვლილი შეაქვს მსოფლიო უსაფრთხოების ისეთ გამოწვევებთან ბრძოლაში როგორიცაა, მაგალითად, საერთაშორისო ტერორიზმი. ამ თვალსაზრისით, საქართველოს კონტრიბუცია ნატოს ფარგლებში მიმდინარე ოპერაციებში ემსახურება როგორც ეროვნული ინტერესების, ისე გლობალური უსაფრთხოების დაცვას.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.	ალექსანდრე კუხიანიძე (მომხსენებელი)	ბრძოლა „რუსთავი 2“– სათვის, როგორც ქართული დემოკრატიის სარკე	ლუნდის უნივერსიტეტი (შვედეთი). 2015 წ., 26 ნოემბერი

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

მოხსენებაში გაანალიზებულია “რუსტავი 2”-ის შექმნისა და პოლიტიკურ ხელისუფლებასთან ურთიერთობის ისტორია მოქალაქეთა კავშირის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ქართული ოცნების ხელისუფლებაშო ყოფნის დროს. დეტალურად განხილულია 2015 წლის შემოდგომის პერიოდში სასამართლოს გადაწყვეტილებები ტელეკომპანია “რუსთავი 2”-ს მიმართ და მათი გავლენა პოლიტიკურ სიტუაციაზე საქართველოში.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
2.	ალექსანდრე კუხიანიძე (მომხსენებელი)	საქართველო რუსეთსა და დასავლეთს შორის.	მალმოს უნივერსიტეტი (შვედეთი). 2015 წ., 15 სექტემბერი

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

მოხსენებაში გამხილულია საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობები რუსეთთან სანჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესი. გაანალიზებულია რუსეთის პოლიტიკა საქართველოსა და კავკასიის მიმართ, და მისი გეოპოლიტიკური მისწრაფებები 2008 წლის რუსეთ-საქართველოსა და 2014-15 წლების რუსეთ-უკრაინის ომების ფონზე.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
3.	ალექსანდრე კუხიანიძე (მომხსენებელი)	საქართველო: დემოკრატია თუ ავტორიტარიზმი?	მალმოს უნივერსიტეტი (შვედეთი). 2015 წ., 29 ოქტომბერი.

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1990 წლების პირველ ნახევარში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, დასავლური პუბლიკაციების უმრავლესობა ეძღვნებოდა დემოკრატიზაციის მესამე ტალღას, და ნაკლები ყურადღება ექცეოდა კრიმინალიზაციის პროცესებს და კორუფციის ზრდას. შედეგად, ახლად შექმნილ ქვეყნებში ჩამოყალიბდნენ ავტორიტარული და კლეპტოკრატიული რეჟიმები. ეს ფაქტი არ გამორიცხავს დემოკრატიზაციის პროცესებს ასეთ ქვეყნებში. თვით განვითარებულ დასავლურ ქვეყნებშიც კი თანამედროვე დემოკრატია თანაარსებობს ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან, მაგალითად, იტალიაში ან ამერიკის შეერთებულ შტატებში. განსხვავება ავტორიტარულ და დემოკრატიულ რეჟიმებს შორის იმაშია, რომ კორუფცია და დანაშაული წარმოადგენს ნებისმიერი ავტორიტარული მმართველობის ინტეგრალურ ნაწილს, მაშინ როდესაც დემოკრატიის პრინციპებზე აგებული მმართველობა ანტაგონისტურად არის განწყობილი კორუფციასა და ორგანიზებული დანაშაულის მიმართ.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
4.	ალექსანდრე კუხიანიძე (მომხსენებელი)	ბრძოლა კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ საქართველოში.	მალმოს უნივერსიტეტი (შვედეთი). 2015 წ., 20 ნოემბერი.

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1990 წლებში კორუფცია წარმოადგენდა ქართული პოლიტიკური ელიტის უმრავლესობის ცხოვრების წესს, ხოლო პროფესიონალური ორგანიზებული დანაშაული იყო შერწყმული ხელისუფლებასთან. 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ ქვეყანაში გატარდა რადიკალური ანტი-კორუფციული და ანტი-კრიმინალური რეფორმები, და ამის შედეგად, კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის დონე

მნიშვნელოვნად შემცირდა. მაგრამ პოლიტიკურ მმართველობაში ავტორიტარული ელემენტების გაძლიერების გამო, კორუფცია გადაინაცვლა პოლიტიკურ დონეზე, ეგრეთ წოდებული "ელიტური" კორუფციის სახით, რის შედეგადაც ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ დაკარგა საზოგადოების მხარდაჭერა და წააგო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები. დასკვნა: დემოკრატიზაციის გარეშე, მხოლოდ მოდერნიზაციის მეთოდებით, კორუფციის ეფექტური აღმოფხვრა შესაძლებელია დაბალ საფეხურზე, მაგრამ შეუძლებელია პოლიტიკურ დონეზე.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1.	კორუფცია და ორგანიზებული დანაშაული შვედეთში, პოლიტიკის მეცნიერება	კარინა ვამლინგი, მალმოს უნივერსიტეტის პროფესორი	ალექსანდრე კუხიანიძე	ევროკავშირის გრანტი

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

ორგანიზაცია "საერთაშორისო გამჭვირვალობის" მიხედვით, შვედეთი წარმოადგენს ქვეყანას, სადაც კორუფციის დომე ერთ-ერთი ყველაზე დაბალია მსოფლიოში.
კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მიუხედაბად ამისა, ან ქვეყანაში ორგანიზებული დანაშაულის დონე არც ისეთი დაბალია და ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა აფრიკის, აზიისა და ყოფილი სანჭოთა კავშირიდან უკანონო მიგრანტების დანაშაულებრივ საქმიანობაში მონაწილეობის ხარჯზე.
კვლევის მასალები ჩართულია თსუ-ის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, პოლიტიკის მეცნიერების სპეციალობით, სალექციო კურსში "პოლიტიკური კორუფცია და ორგანიზებული დანაშაული."

დანართი

ალექსანდრე წურწუმია

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: **პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტი**

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: მალხაზ მაცაბერიძე

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე,

პროფესორი ალექსანდრე კუხიანიძე,

პროფესორი კორნელი კაკაჩია,

ასოცირებული პროფესორი ნანა მაჭარაშვილი,

ასოცირებული პროფესორი სალომე დუნდუა,

ასოცირებული პროფესორი გია ჟორჟოლიანი,

ასისტენტ-პროფესორი ზვიად აბაშიძე,

ასისტენტ-პროფესორი ვალერიან დოლიძე,

ასისტენტ-პროფესორი ავთანდილ ტუკვაძე,

ასისტენტ-პროფესორი ალექსანდრე წურწუმია.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	ალექსანდრე წურწუმია	გეოპოლიტიკური ცვლილებები დროსა და სივრცეში	თბილისი, უნივერსალი	141 გვ.

ნაშრომში განვიხილული ის ძირითადი ტერიტორიალური ცვლილებები, რომელიც მიმდინარეობდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. ამ მხრივ ათვლის წერტილად არჩეულია 1453 წელი. განხილვის ერთ-ერთი უმთავრესი საგანია, გეოგრაფიული ფაქტორების გავლენა წარსულისა და თანამედროვე გეოპოლიტიკურ ცვლილებებზე. განხილვისას მოხდა დაყრდნობა გეოპოლიტიკის კლასიკური პერიოდის თეორიათა ანალიზს. ეს თეორიები დღესაც ინარჩუნებენ თავის მნიშვნელობას და გავლენას მიმდინარე ცვლილებებზე. შევეცადეთ ამ ურთიერთკავშირის წარმოჩენას.

კვლევა ძირითადად მოიცავს ევრაზიიულ სივრცეს: მის როგორც ევროპულ ნაწილს მოსაზღვრეს ამირკავკასიასთან, ასევე შორეულ აღმოსავლეთსაც. არ არის მიზანშეწონილი განცალკავება ერთმანეთისგან ევროპისა და აზიის, გეოგრაფიულად ეს შესაძლოა გამართლებულიც კი არის. ვინაიდან ამ ორ კონტინენტს შორის არ არსებობს მკვეთრად გამოკვეთილი ბუნებრივი წინაღობა და საზღვარი (განსაკუთრებით ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი, ანუ ის ტერიროია სადაც ევროპისა და აზიის კონტინენტებს შორის საზღვარი მიუყვება ურალის მთათა სისტემას), გეოპოლიტიკური თვალსაზრისით

გაცილებით მართლზომიერია ეს ორივე კონტინენტი ერთ მთლიანობაში – ევრაზიულ სივრცედ განვიხილოთ.

ნაშრომი წარმოადგენს მეორე გამოცემას წიგნისა – გეოპოლიტიკური ცვლილებები დროსა და სივრცეში (გეოპოლიტიკის კლასიკური პერიოდი), რომელიც 2009 წელს გამოვეცით. პირველი გამოცემისგან განსხვავებით, ძირითად ნაწილში შეტანილია დამატებები გარკვეულ პოლიტიკურ პროცესებთან მიმართებაში და შევეცადეთ ჩვენი მოსაზრებების კიდევ უფრო გამყარებას სხვადასხვა პერიოდში მოღვაწე მეცნიერის ხედვაზე დაყრდნობით.

ასევე მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ცალკე თავი დაგვეთმო და გვემსჯელა გეოპოლიტიკაზე, როგორც სამეცნიერო დისციპლინაზე; განგვესაზღვრა მისი კვლევის საგანი და მეთოდები. ძალიან მნიშვნელოვანია ამა თუ იმ სიტყვის (ტერმინის) სწორად გამოყენება, მისი არსის სრულყოფილად წარმოჩენა, რასაც დავუთმეთ ყურადღება და განვიხილავთ, ნაშრომის როგორც პირველ თავში ასევე სხვა ნაწილშიც.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ალექსანდრე წურწუმია	საზღვაო და სახმელეთო ძალის დაპირისპირების ძირითადი ასპექტები	სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა 2	თბილისი 2015, თსუ გამომცემლობა	გვ.458-466
გეოპოლიტიკის უმთავრეს კატეგორიას წარმოადგენს სივრცე. XX საუკუნის მეორე ნახევრამდე ძირითადი აქცენტი კეთდებოდა სახმელეთო და საზღვაო სივრცეზე. ძირითადი კვლევები დაიყვანება ორი ძალის – თალასოკრატიის და თელუროკრატიისა და თელუროკრატიის ურთიერტობისა და წინააღმდეგობის ანალიზამდე. თალასოკრატიის (საზღვაო ძალის) და თელუროკრატიის (სახმელეთო ძალის) ურთიერთზემოქმედება განსაკუთრებით მნშვნელოვანი გახდა კოლუმბის შემოდგომ ეპოქაში. მოყოლებული XV საუკუნიდან, ზღვებსა და ოკეანეებზე უპირატესობის მოპოვება განაპირობებდა და განაპირობებს პოლიტიკურ პროცესებს.					

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2	ალექსანდრე წურწუმია	ნაპოლეონის გეოსტრატეგიული მიზნები, ისტორიული პარალელები და ქართული დიპლომატიის ხარვეზები.	ქართული დიპლომატია №17	თბილისი, არტანუჯი	
სტატიაში წარმოჩენილია კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და ცნობილი პოლიტიკოსის – ნაპოლეონ ბონაპარტის (1760-1821) გეოსტრატეგიული ხედვის განხილვას. უფრო კონკრეტულად კი, მისი აღმოსავლური პოლიტიკის იმ საკითხების, რომელიც მჭიდროდ არის					

დაკავშირებული გეოპოლიტიკასთან.

ნაპოლეონ ბონაპარტი მრავალმხრივ ნიჭიერი და შორსმჭვრეტი პოლიტიკოსი იყო. მის მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სტრატეგიულმა ხედვამ, რომლითაც ის ანიჭებდა მნიშვნელობას ამა თუ იმ გეოგრაფიულ სივრცეს. ძალიან მკაფიოს ეს გამოჩნდა ეგვიპტის ლაშქრობის დროს. ნაპოლეონის სტრატეგიულ ჩანაფიქრს ეგვიპტის დაპყრობა წარმოადგენდა, რაც საშუალებას მისცემდა საფრანგეთს შეემოკლებინა გზა ინდოეთამდე და მოეპოვებინა უპირატესობა სავაჭრო ურთიერთობებში ევროპაში. პირველ ეტაპს ამ სტრატეგიაში წარმოადგენდა იტალიის და მის გარშემო საზღვაო სივრცის დაპყრობა, მეორე ეტაპზე იონიის კუნძულების დაკავება და უკვე ამის შემდეგ მოხდებოდა ეგვიპტეზე გალაშქრება.

ვფიქრობთ, ნაპოლეონის გეოსტრატეგიული მიზნები დიდი ალბათობით უფრო მეტად განხორციელებადი იყო, თუკი ის მოსკოვის აღების ნაცვლად ან მისი აღების შემდგომ დაიძრებოდა კავკასიისკენ. თუმცა, კავკასიის დაკავების შემთხვევაშიც კი მის წინაშე აღმოჩნდებოდა ორი ძლიერი მოწინააღმდეგე ოსმალეთი და სპარსეთი. სავარაუდოდ სპარსეთთან მოლაპარაკებების შემდგომ და ერთობლივად ოსმალეთის დამარცხებისა, სპარსეთი და საფრანგეთი მოკავშირეთა რანგიდან გადაინაცვლებდნენ მოწინააღმდეგეთაში. ნაპოლეონის მიერ ტავდაპირველად (XVIII საუკუნის მიწურულს) არჩეული მიმართულება ტერიტორიული გაფართოებისა (ხმელთაშუა ზღვა-ახლო აღმოსავლეთის გავლით ინდოეთისკენ)) ემთხვევა იმ სივრცეს, რომლის ათვისებასაც თავის დროზე შეეცადა ალექსანდრე მაკედონელი და რომის იმპერიის მმართველნი. ორივე ამ იმპერიამ, ალექსანდრე მაკედონელისამ და რომისამ, სერიოზული რესურსები დახარჯა მიზნის მისაღწევად. თუმცა, პირველმა მათგანმა მიაღწია ინდოეთამდე, ხოლო მეორე ვერ გასცდა ახლო აღმოსავლეთს და ინდოეთისკენ მიმავალ გზაზე სპარსეთი გადაეღობა.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ალექსანდრე წურწუმია	ერთიანი ევროპილი სივრცე (ინტეგრაციის სირთულეები)	25-27 ივნისი, 2015 თსუ. III საერთაშორისო კონერენცია ..სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა”

პოლიტიკურმა პროცესებმა ხელი შეუწყო, მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი სკოლის, ნეოლილიბერალიზმის იმ ხედვის ფორმირებას, რომლის მიხედვით თანამშრობლობით სახელმწიფოები გაცილებით მეტ მოგებას ნახულობენ ვიდრე დაპირისპირებითა და ომებით. მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან სულ რაღაც შვიდიოდე წელიწადში, ორმა ევროპულმა სახემწიფომ (გერმანიამ და საფრანგეთმა), რომელთაც 75 წლის გამავლობაში სამჯერ იომეს ერთმანეთის წინააღმდეგ, გადადგეს ნაბიჯი თანამშრომლობისკენ. ევროპულმა თანამეგობრობამ, რომელიც შემდგომში 1993 წელს გარდაიქმნა ევროპის კავშირად, ხელი შეუწყო ევროპულ სივრცეში ეკონომიკური თანმშრომლობის გაღრმავებას. თუმცა, ევროპული თანამეგობრობა არ ეყრდნობოდა მხოლოდ ეკონომიკურ ფაქტორებს, რაც მკაფიოდ გამოჩნდა დე გოლის მართველობის პერიოდში, როდესაც 60-იან წლებში საფრანგეთმა დაბლოკა დიდი ბრიტანეთის გაწევრიანება ორგანიზაციაში, ამ უკანასკნელის მჭიდრო ურთიერთობის გამო აშშ-თან.

ცივი ომის დამთავრების შემდეგ გამოითხვა ვარაუდი, რომ ახალ მსოფლიო წესრიგს აშშ-სა და ევროკავშირის თანამშრომლობით ჩაეყრებოდა საფუძველი. თუმცა, შემდგომ პერიოდში ევროკავშირის ლიდერმა სახელმწიფოებმა (პირველ რიგში საფრანგეთმა და გერმანიამ), მოიწადინეს თავიანთი საკუთარი პოლიტიკის განხორციელება და მჭიდრო თანამშრომლობა რუსეთთან. რასაც აშშ-ს სამთავრობო წრეების მხრიდან მწვავე რეაქცია მოყვა. თუმცა, რუსეთ-საფრანგეთ-გერმანიის სწრაფვა ევროპაში ახალი უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებისა, 2011 წელს ვერ განხორციელდა. ამ გეგმის განხორციელებას ასევე უშლის ხელს დაძაბული ვითარება უკრაინის გარშემო.

რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიამ დაბადა რამოდენიმე აქტუალური კითხვა. ხომ არ მოხდა დაინტერესებულ მხარეებს შორის რაიმე სახის ფარული გარიგება მსგავსი მიუნჰენისა (1938 წ.)? არის კი ევროკავშირი ერთიანი ორგანიზაცია? ხომ მიმართვაენ საფრანგეთი-გერმანია რუსეთთან მიმართებაში ძალთა დაბალანსების პოლიტიკას სუსტი სახელმწიფოების ინტერესების უგულებელყოფის ხარჯზე?

ჩვენს მიერ გამოთქმულ ეჭვს კიდევ უფრო აღვივებს საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტები

ჟისკარ დ'ესტენის და ნიკოლა სარკოზის მიერ დაფიქსირებული პოზიცია ყირიმის რუსეთისადმი კუთვნილების ისტორიული საფუძვლების შესახებ.

მსგავსმა პოზიციამ, რუსეთისადმი ლოიალურმა დამოკიდებულებამ, შესაძლოა შეარყიოს ევროკავშირის ერთობა, ვინაიდან მის რიგებში არიან წარმოდგენილი ქვეყნები, რომელთაც ისტორიულად ჩამოუყალიბდათ უნდობლობა რუსეთის პოლიტიკის მიმართ.

ევროკავშირი, როგორც ორგანიზაცია უამრავი გამოწვევის წიანშე დგას. უმთავრესი პრობლემა კი, რუსეთთან დამოკიდებულების გართულება, სათავეს 2004 წლიდან იღებს. სწორედ ამ წელს განხორციელდა ევროკავშირის ისტორიაში ყველაზე დიდი გაფართოება. იმავე წელს ევროკავშირმა განაცხადა სამეზობლო პოლიტიკის ამოქმედების შესახებ. ამ ეტაპამდე კრემლი აცხადებდა, რომ მისთვის არ ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა გაწევრიანდებოდნენ თუ არა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები ევროკავშირში, მთავარი იყო არ მომხდარიყო მათი გაწევრიანება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში. თუმცა, ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკამ და ევროკავშირსა და საქართველო, უკრაინა, მოლდოვას შორის ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამ ფაქტმა მკვეთრად დაძაბა ურთიერთობა რუსეთთან. ცალსახაა, რომ თითოეული ნაბიჯი გადადგმული დემოკრატიისა და ევროინტეგრაციისაკენ, კიდევ უფრო აშორებს პოსტ-საბჭოთა რესპუბლიკებს კრემლისაგან და ზრდის მათი სუვერენიტეტის ხარისხს.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
2	ალექსანდრე წურწუმია	შორეული აღმოსავლეთი გუშინ, დღეს, ხვალ: გეოპოლიტიკურ ცვლილებათა თავისებურებანი	15-16 ოქტომბერი, 2015 თბილისი, თსუ, I სამეცნიერო კონდერენცია: „შორეული აღმოსავლეთი: ისტორია, რელიგია, კულტურა"

შორეული აღმოსავლეთი არც ისეთი შორეულია, მითუმეტეს, თუკი გავითვალისწინებთ და მხედველობაში მივიღებთ მსოფლიო რუკის (ამერიკულ ვარიანტს), რომლის ცენტრში წყნარი ოკეანე მდებარეობს,. წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთი და ცენტრალური ნაწილი XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე წარმოადგენდა პოლიტიკურ პროცესთა უმნიშვნელოვანეს ეპიცენტრს. სწორედ ამ რეგიონში გადაიკვეთა იმ პერიოდის იმ პერიოდის მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოთა ინტერესები. სწორედ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პოლიტიკური დაპირისპირების ფონზე იღებს სათავეს გლობალური პოლიტიკა.

გეოპოლიტიკური ცვლილებები რეგიონში მნიშვნელოვან წილად განსაზღვრა იაპონიის აქტიურობამ. შემთხვევითი არაა, რომ ჯერ კიდევ რამოდენიმე წლით ადრე ჩინეთთან ომის დაწყებამდე (კორეის ომის (1894-1895), ცნობილი ამერიკელი გეოპოლიტიკოსი, ვიცე-ადმირალი ალფრედ მეჰენი ურჩევდა თავისი ქვეყნის ხელისუფლებას ფხიზლად დევნება თვალყურის და წინ აღდგომა იაპონიის ექსპანსიისა წყნარ ოკეანეში.

უახლოეს მომავალში, XXI საუკუნის 20-იანი წლებიდან, შორეული აღმოსავლეთი კვლავ შესაძლოა გახდეს დიდ გეოპოლიტიკურ ცვლილებათა ეპიცენტრი. ტერიტორიალური დავა, იაპონიასა და სამხრეთ კორეას შორის, ჩინეთის გეოპოლიტიკური ინტერესები და ტერიტორიალური დავარუსეთსა და იაპონიას შორის, შრსაძლოა გახდეს ამის მიზეზი. თუმცა, არანაკლებ ინტერეს იმსახურებენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციასია. ეს ორგანიზაცია, რომელიც ჩამოყალიბდა გასული საუკუნის 60-იან წლებში, გეგმავს გადაკეთდეს ეკონომიკურიდან პოლიტიკურ ორგანიზაციად მსგავსად ევროკავშირისა.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
3	ალექსანდრე წურწუმია	ზურაბ ავალიშვილი – ქართული გეოპოლიტიკის სათავეებთან	11-13 ნოემბერი, 2015 თბილისი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. საერთაშორისო კონგრესი „ქართველოლოგიის პრობლემები და პერსპექტივები"

ზურაბ ავალიშვილს (1874 ან 1876 – 1944) უდიდესი დამსახურება მიუძღვის ქართველი ერის წინაშე და საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის საქმეში. უპირველეს ყოვლისა, იმ მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობიდან, რომელიც დაგვიტოვა ზურაბ ავალიშვილმა, ყურადღებას გავამახვილებთ იმ ნაშრომებზე, სადაც ყველაზე მეტად ჩანს გეოპოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები. XX საუკუნის დასაწყისში ქართული სამეცნიერო წრის წარმოამდგენელთა შორის გამოჩდნენ მეცნიერები, რომელთაც მნიშვნელოვანი ყურადღება გაამახვილეს ქვეყნის გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მნიშვნელობაზე მის პოლიტიკურ ცხოვრებაში. უპირველეს ყოვლისა ამ მეცნირეთაგან უნდა გამოვყოთ – ზურაბ ავალიშვილისა და ივანე ჯავახიშვილის სახელები. პირველმა მათგანმა 1901 წელ გამოსცა ნაშრომი: „საქართველოს შერთება რუსეთთან". რაც შეეხება ივანე ჯავახიშვილს, 1918 წელს მან გამოსცა ნაშრომი: „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნის პირველ მეოთხედში" და „საქართველოს საზღვრები".

ზურაბ ავალიშვილი დამოუკიდებლობის წლებში (1918-1921) დიპლომატიურ სამსახურშია. 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ წავიდა ემიგრაციაში. საქართველოში დარჩენილი ივანე ჯავახიშვილისთვის ამ მიმართულებით სამეცნიერო კვლევის გაგრძელება დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. საბჭოთა პერიოდში გეოპოლიტიკა ითვლებოდა ბურჟუაზიულ სამეცნიერო დისციპლინად.

ზურაბ ავალიშვილი თავის ნაშრომებში არ იყენებს ტერმინ გეოპოლიტიკას. თუმცა, არც გეოპოლიტიკის ფუძემდებელი ფრიდრიხ რატცელი (1844-1904) და არც მის სათავეებთან მდგომი ჰელფორდ მაკინდერი (1861-1947) არ იყენებდნენ ამ ტერმინს. ეს ტერმინი სამეცნიერო საზოგადოებაში დაამკვიდრა შვედმა მეცნიერმა რუდოლფ კელენმა (ჩელენი) (1864-1922).

ზურაბ ავალიშვილის გეოპოლიტიკური ხედვა მკაფიოდ გამოჩნდა 1901 წელს გამოცემულ ნაშრომში „საქართველოს შეერთება რუსეთთან". გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ იმჟამინდელი რეალობიდან გამომდინარე ზურაბ ავალიშვილი ვერ გამოიყენებდა ტერმინ ანექსიას, ასეთ შემთხვევაში ცენზურა მაშინათვე აკრძალავდა ნაშრომის გამოცემას. ზურაბ ავალიშვილი მნიშვნელოვან დასკვნას აკეთებს კონსტანტინოპოლის დაცემასთან დაკავშირებით, მკაფიოდ ჩანს ამ მოვლენის შემდგომ საქართველოს გარშემო შექმნილი გეოპოლიტიკური კონფიგურაციის ელემენტები. არანაკლებ მნიშვნელოვანია ნაშრომის დასაწყისში გამოთქმული მოსაზრებები, რომელიც ხაზს უსვამს საქართველოს გეოსტრატეგიული მდგემარეობის მნიშვნელობას და იმ პერსპექტივებს, რაც რუსეთს შეეძლო მოეპოვებინა კავკასიის მთების ზღუდის გადმოლახვით.

1921 წლიდან ზურაბ ავალიშვილი ემიგრაციაშია, სადაც აგრძელებს აქტიურ სამეცნიერო მოღვაწეობას, აქვეყნებს ნაშრომებსა და სტატიებს. იგი თანამშრომლობს სხვადასხვა სამეცნიერო და პოლიტიკურ ჟურნალ-გაზეთებთან: „ორნატი", „გეორგიკა", „კავკასია" და სხვ. ამ პერიოდის ნაშრომები იმსახურებს უდიდეს ყურადღებას. ემიგრაციაში ყოფნის წლები შეიძლება დავყოთ სამ პერიოდად: 1. 20-იანი წლები, როდესაც გამოსცა რამოდენიმე საინტერესო მონოგრაფია; 30-იანი წლები, აქტიური ჟურნალისტიკის პერიოდი და 3. 40-იანი წლები.

უპირველეს ყოვლისა, ზურაბ ავალიშვილის გეოპოლიტიკური ხედვა აისახა 1924 წელს პარიზში, რუსულ ენაზე გამოცემულ „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში". ავტორი კარგად იცნობდა სხვადასხვა გეოპოლიტიკურ კონცეფციას, მათ შორის - „ბუფერული სახელმწიფო"-ს და „შუაგული ევროპ"-ის. ზურაბ ავალიშვილს ურთიერთობა ჰქონდა ბევრ მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოღვაწესთან და გეოპოლიტიკოსთან, მათ შორის „შუაგული ევროპ"-ის კონცეფციის ავტორთან ფრიდრიხ ნაუმანთან.

30-იანი წლებში, ზურაბ ავალიშვილმა გამოსცა სტატიები, რომელთა თემატიკა მჭიდრო კავშირშია გეოპოლიტიკასთან.

ზურაბ ავალიშვილი იყო ის მეცნიერი, რომელიც საქართველოში იდგა გეოპოლიტიკის სათავეებთან. მისმა ნააზრევმა ხელი შეუწყო ქართულ ემიგრაციაში საქართველოს გეოპოლიტიკური მნიშვნელობის და ზოგადად, გეოპოლიტიკის საკითხების გააზრებას. ზურაბ ავალიშვილის გეოპოლიტიკური ხედვა დღესაც ინარჩუნებს თავის აქტუალობას.

დანართი

ამირან ბერძენიშვილი

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: **სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტი**

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: იაგო კაჭკაჭიშვილი

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორი ამირან ბერძენიშვილი,

პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი,

ასოცირებული პროფესორი ნინო დურგლიშვილი,

ასოცირებული პროფესორი თამარ მახარაძე,

ასოცირებული პროფესორი ლია წულაძე,

ასოცირებული პროფესორი კახა ქეცბაია,

ასოცირებული პროფესორი ლელა გაფრინდაშვილი,

ასოცირებული პროფესორი მარინა ბურძენიძე,

ასოცირებული პროფესორი ნათელა დონაძე,

ასოცირებული პროფესორი თამარ საბედაშვილი,

ასისტენტ-პროფესორი შორენა თურქიაშვილი,

ასისტენტ-პროფესორი თეონა მატარაძე,

ასისტენტ-პროფესორი სალომე ნამიჭეიშვილი,

ასისტენტ-პროფესორი ზურაბ ტატანაშვილი.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
	ამირან ბერძენიშვილი ნათელა დონაძე	ქსელური სოციალურობა ინფორმაციულ საზოგადოებაში.	თბილისი, თსუ, 2015 წ. ივნისი
ინტერნეტი სოციალური ურთიერთობის განვითარების ერთ-ერთი საშუალებაა. ინტერნეტი სივრცის „ნაკლს“ ამცირებს - გარკვეულ დისტანციაზე ურთიერთობის დასამყარებლად დრო და ფულია დღეს სოციალური კავშირების მოსაძიებლად და დასამყარებლად არა საერთო საცხოვრებელი ტერიტორია, არამედ მხოლოდ საერთო ინტერესებია საჭირო. ინტერნეტის გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში მოცემულ სოციალურ კონტექსტში ინფორმაციული საზოგადოების დიფუზიის, ფორმისა და კულტურული სპეციფიკის დასადგენად კარგი ინდიკატორია. სოციალურ სტრუქტურას, სოციალურ ქცევას და მნიშვნელობათა მინიჭებას შორის ინტერნეტის			

მეშვეობით დამყარებული ურთიერთქმედება გამოხატავს სოციალური ტრანსფორმაციის პროცესს, რომელიც ტექნოლოგიების, კულტურისა და საზოგადოების ერთმანეთთან ინტერაქციის/ურთიერთქმედების შედეგია. ქართულ საზოგადოებაში ინტერნეტი სულ უფრო მეტად ხდება სოციალური კაპიტალისა და ერთობების განმტკიცების საფუძველი, მაგრამ როგორც ბოლო წლების გამოკვლევები ადასტურებს ქართველი ინტერნეტმომხმარებელი არა სოციალური აქტივობების გაძლიერებაზე, არამედ უფრო „ინფოგართობაზეა“ ორიენტირებული. ინტერნეტის გავრცელება სოციალურ სტრუქტურაზეა დამოკიდებული. მთავარი საკითხი ისაა, თუ ინტერნეტი საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის რამდენადაა ხელმისაწვდომი, რაც თავის მხრივ ციფრული უთანასწორობის დაძლევას, ან პირიქით განმტკიცებას უწყობს ხელს.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
	თანამედროვე ქართული საზოგადოების ცხოვრების წესი და განვითარების პერსპექტივა, სოციალური მეცნიერებები, სოციოლოგია	ნინო დურგლიშვილი	ამირან ბერძენიშვილი, მარინა ბურძენიძე, ნათელა დონაძე, შორენა თურქიაშვილი, თეონა მატარაძე, მარინა ქევხიშვილი, ილონა გოგია, ნინო ამონაშვილი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 3 მაგისტრანტი და 21 ბაკალავრიატის სტუდენტი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში შემოსული პროექტი

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

ცხოვრების წესი, როგორც ზოგადი სოციალური კატეგორია, ობიექტური (ცხოვრების პირობები, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი გარემო/მდგომარეობა და ა. შ.) და სუბიექტური (ატიტუდები/დამოკიდებულებები, პრეფერენციები, ღირებულებითი ორიენტაციები, მოლოდინები და სხვა) ასპექტების სისტემას წარმოადგენს.

პირველ ეტაპზე მოძიებულ იქნა სამეცნიერო ლიტერატურა და კვლევითი ანგარიშები, რომლებიც ეხებოდა ზოგადად საზოგადოების და კონკრეტულად კი ქართული საზოგადოების ცხოვრების წესს. ჯგუფის წევრებმა მათი კვლევითი ინტერესების მიხედვით შეადგინეს სხვადასხვა თემატური ბლოკები. ჯგუფის წევრებმა მათი კვლევითი ინტერესების მიხედვით შეადგინეს სხვადასხვა თემატური ბლოკები.

სტრატიფიცირებული კლასტერული შერჩევის დიზაინის გამოყენებით საქართველოს მასშტაბით გამოკითხულ იქნა 1060 ადამიანი.

მას შემდეგომ, რაც მონაცემთა ბაზა გაიწმინდა, მონაცემები გადაეცა პროექტში ჩართულ თითოეულ მკვლევარს. რომლებიც თავიანთი ბლოკების მიხედვით ახორციელებდნენ მონაცემთა სტატისტიკურ და სოციოლოგიურ ანალიზს. ანალიზის დროს გამოყენებულ იქნა როგორც აღწერითი სტატისტიკა ასევე ახსნითი და მოხდა მონაცემების გაანალიზება სხვადასხვა სოციოლოგიური თეორიის ჩარჩოებში.

თანამედროვე ქართული საზოგადოების ცხოვრების წესის კვლევამ საშუალება მოგვცა:

ა) გამოვავლინეთ ფაქტორები, რომლებიც საზოგადოების განვითარებაზე ზემოქმედებს;

ბ) შევაფასეთ ამ ფაქტორების ზემოქმედების როლი (ხელშემწყობი/ხელშემშლელი) და ხარისხი;

გ) განვახორციელეთ მომავლის ალტერნატივათა მოდელირება და შევიმუშაოთ რეკომენდაციები.

IV. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
	რელიგიათმცოდნეობითი კრებული	ანა მგალობლიშვილი	ზაზა ფირალიშვილი, ლელა იაკობაშვილი, ამირან ბერძენიშვილი	ფონდი “ღია საზოგადოება – საქართველო”

რელიგიათმცოდნეობითი კრებული(რელიგია, საზოგადოება, კულტურა), გამომცემლობა:შპს “საჩინო”, თბილისი 2015. წინამდებარე კრებულით თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის რელიგიათა ინერდისციპლინარული კვლევის ცენტრმა დაიწყო რელიგიათმცოდნეობითი პრობლემებისადმი მიძღვნილი კრებულების გამოცემა, შესრულებული პროექტის ერთერთი მთავარი თავისებურებაა ის, რომ მიში შემდგენლები შეეცადნენ, ისეტი წერილებისათვის მოეყარათ თავი, რომლებშიც რელიგიური ცხოვრებისადმი მიძღვნილი თეორიული რობლემები იქნებოდა აქცენტირებული, რადგანაც შეუძლებელია რელიგიათა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობაზე ამა თუ იმ ხარისხით სერიოზული საუბარი, თუ ამას წინ პრობლემათა თეორიული(რელიგიათმცოდნეობითი, კულტუროლოგიური, სოციოლოგიური და სხვა,) გააზრება არ უძღვის, კრებულის შემდგენლები ვფიქრობთ, რომ ის სირთულეები, რომლებიც რელიგიური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტების დარეგულირებას ხელს უშლის სწორედ იმითაა გამოწვეული, რომ საქართველოში ჯერაც რელიგიათმცოდნეობითი კვლევების, ორიგინალური თუ თარგმნილი ლიტერატურის სიმწირეა.

რებულის შემდგენლები მადლობას ვუხდით ფონდს “ღია საზოგადოება – საქართველოს” კრებულის დამუშავებისა და გამოცემაში გაწეული დახმარებისთვის.

დანართი

გიორგი გოგსაძე

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: **საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტი**

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: გიორგი გოგსაძე

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორი რევაზ გაჩეჩილაძე,

პროფესორი გიორგი გოგსაძე,

პროფესორი იოსებ სალუქვაძე,

პროფესორი ვაჟა ლორთქიფანიძე,

ასოცირებული პროფესორი ვალერიან მელიქიძე,

ასოცირებული პროფესორი ნინო პავლიაშვილი,

ასოცირებული პროფესორი თამარ დოლბაია,

ასოცირებული პროფესორი ია იაშვილი,

ასოცირებული პროფესორი მარინა ბოკერია,

ასოცირებული პროფესორი ანზორ სახვაძე,

ასისტენტ-პროფესორი გიორგი კვინიკაძე,

ასისტენტ-პროფესორი ვლადიმერ ჩხაიძე,

ასისტენტ-პროფესორი ბაადურ წერეთელი.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	გიორგი გოგსაძე, იაგო კაჭკაჭიშვილი, ნანა მაჭარაშვილი.	*სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო განათლების ხელშეწყობა (ანალიტიკური მოხსენება).*		ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი, თბილისი, 2015. www.mikeladzefoundation.org	83

ანოტაციები ქართულ ენაზე

ანალიტიკურ მოხსენება მიმოიხილავს საქართველოში სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო განათლების სფეროში არსებულ მდგომარეობას 4 სახელმწიფო უნივერსიტეტის (*ივანე ჯავახიშვილის*

სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ), აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქუთაისი), იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი) მაგალითზე. კვლევა დაეფუძნა, როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის რაოდენობრივი კვლევის ძირითად მიგნებებს. გამოკვლევის ობიექტია იყო სამიზნე უმაღლესი სასწავლებლების ბაკალავრიატის და მაგისტრატურის 1150-ზე მეტი სტუდენტი. მოხსენებაში მოცემულია საუნივერსიტეტო განათლების ორი კომპონენტის – სასწავლო პროცესის და სტუდენტების მომსახურების (ადმინისტრირების) პრობლემების იდენტიფიცირება და ანალიზი.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
	Giorgi Gogasdze	*Georgia: Demographic Challenges and Migration Trends*.	Panel Meeting on migration data management and migration trends. Budapest, March 5-6, 2015

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

მოხსენებაში მიმოხილული იყო საქართველოში დემოგრაფიისა და მიგრაციის სფეროში შექმნილი სიტუაცია. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა შრომით ემიგრაციაზე. განხილული იყო ემიგრაციის მასშტაბი და ძირითადი მიმართულებები. ასევე, მშრომელი მიგრანტების მიერ საქართველოში ფულადი გზავნილების მოცულობა და რემიტანსების გეოგრაფია.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
	"სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო განათლების ხელშეწყობა". სექტემბერი, 2014-ივნისი, 2015	გიორგი გოგსაძე	თსუ პროფ. იაგო კაჭკაჭიშვილი და ასოც. პროფ. ნანა მაჭარაშვილი	ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო"

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

პროექტის ძირითადი შედეგები:

- შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა სტუდენტზე ორიენტირებული განათლების სფეროში მოწინავე

უცხოური გამოცდილება.

- სასწავლო პროცესის და სტუდენტთა მომსახურების სფეროებში არსებული პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით ჩატარდა თვისებრივი კვლევა, რომლის ინსტრუმენტი იყო ფოკუს ჯგუფის გზამკვლევი. ეს უკანასკნელი მოიცავდა ღია ან ნახევრად ღია კითხვებს იმ ძირითადი საკითხების შესახებ, რომელთა გამოვლენაც ფოკუს ჯგუფის მეშვეობით მოხდა. ჩატარდა 11 ჯგუფური დისკუსია (ფოკუს ჯგუფის შეხვედრა). თითოეული ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა რაოდენობა შეადგენდა 8-10 ადამიანს. ჯგუფური დისკუსიები ჩატარდა, როგორც თბილისის (3 ფოკუს ჯგუფი), ისე სამივე რეგიონული ქალაქის (ქუთაისი, ბათუმი, თელავი) უნივერსიტეტებში (თითოეულში 2 ფოკუს ჯგუფი).
- ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა, რომელიც დაეფუძნა თვისებრივი კვლევის მიგნებებს. კვლევა წარიმართა წინასწარ მომზადებული სოციოლოგიური ანკეტის საფუძველზე. გამოკვლევის ობიექტი იყო სამიზნე უმაღლესი სასწავლებლების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურისა სტუდენტები. გამოიკითხა ზემოთ აღნიშნული 4 უმაღლესი სასწავლებელის დაახლოებით 1200-მდე სტუდენტი, თითოეულ უნივერსიტეტში - 280-320 სტუდენტი.
- შემუშავებულ იქნა კონსოლიდირებული მოხსენება (რეპორტი), რომელშიც იდენტიფიცირებული და გაანალიზებულია საქართველოს 4 უნივერსიტეტში სტუდენტზე ორიენტირებული განათლებაში არსებული პრობლემები და წარმოდგენილია ამ სისტემის გაუმჯობესების, კერძოდ სასწავლო პროცესის და სტუდენტთა მომსახურების სფეროების გაუმჯობესების გზები.

IV. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
	თბილისის ურბანული განვითარების სივრცითი ასპექტები: მობილობის გავლენა სოციალური გარემოს ცვლილებაზე (საზოგადოებრივი გეოგრაფია, გეოურბანისტიკა). აპრილი-დეკემბერი, 2015	გიორგი გოგსაძე	დოქტორანტი დავით სიჭინავა, მაგისტრანტები: დავით სიდამონიძე და ლიკა ჟვანია	თსუ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

კვლევაში მიმოხილული თეორიული მასალის და კონცეპტუალიზაციის საფუძველზე, პროექტის გუნდმა კვლევის ინსტრუმენტი მოამზადა. კითხვარის პირველ ნაწილში ექსპერიმენტის მეშვეობით მოხდა თბილისის მოსახლეობის საცხოვრებელი პრეფერენციების შესწავლა. ექსპერიმენტის ფარგლებში, რესპონდენტებმა შეაფასეს, რამდენად იცხოვრებდნენ ან არ იცხოვრებდნენ ასეთ შენობაში. ექსპერიმენტულ ჯგუფში გარდა ბარათისა, რესპონდენტებისთვის დაზუსტდა, თუ რომელ უბანში მდებარეობს ეს საცხოვრისი. განსხვავება ექსპერიმენტულ და საკონტროლო ჯგუფებში მოხვედრილი რესპონდენტების პასუხებს შორის საშუალებას მოგვცა, ვიმსჯელოთ ექსპერიმენტის ეფექტის (treatment effect) სიძლიერეზე.

გარდა ამისა, შესწავლილ იქნა თბილისის მოსახლეობის დამოკიდებულება სატრანსპორტო სისტემის მიმართ და საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენების თავისებურებები. შეფასდა საქალაქო გარემოს ხარისხი, რომელიც მომზადდა ევროსტატის სტანდარტული კითხვარის საფუძველზე. დაბოლოს, სხვადასხვა ინდიკატორის მეშვეობით, შესწავლილი იქნა საცხოვრებლის ფიზიკური მდგომარეობა და მისი ხარისხი.

დანართი

გიორგი კვინიკაძე

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: **საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტი**

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: გიორგი გოგსაძე

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორი რევაზ გაჩეჩილაძე,

პროფესორი გიორგი გოგსაძე,

პროფესორი იოსებ სალუქვაძე,

პროფესორი ვაჟა ლორთქიფანიძე,

ასოცირებული პროფესორი ვალერიან მელიქიძე,

ასოცირებული პროფესორი ნინო პავლიაშვილი,

ასოცირებული პროფესორი თამარ დოლბაია,

ასოცირებული პროფესორი ია იაშვილი,

ასოცირებული პროფესორი მარინა ბოკერია,

ასოცირებული პროფესორი ანზორ სახვაძე,

ასისტენტ-პროფესორი გიორგი კვინიკაძე,

ასისტენტ-პროფესორი ვლადიმერ ჩხაიძე,

ასისტენტ-პროფესორი ბაადურ წერეთელი.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	გიორგი კვინიკაძე ვალერიან დოლიძე	Анализ геоэкономических взглядов Фридриха Листа / История и современность /	”ეკონომიკა” ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი№10-12	ქ. თბილისი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა	17

ანოტაციები ქართულ ენაზე ანოტაცია ფრიდრიხ ლისტის გეოეკონომიკურ შეხედულებათა ანალიზი / ისტორია და თანამედროვეობა / იმის მიუხედავად, რომ გეოეკონომიკა შედარებით ახალი ცოდნის დარგია, დაკვირვებები სივრცის, ეკონომიკის, ისტორიის, და პოლიტიკის ურთიერთ კავშირების შესახებ გვხვდება XIX-XX საუკუნეში მოღვაწე მრავალი მეცნიერის შრომებში. როგორც მისი სახელწოდებიდან ჩანს, ეს მიმართულება სწავლობს ჰომო ეცონომიცს-ს და სივრცეს შორის ურთიერთობას, უფრო კონკრეტულად კი სივრცითი ფაქტორების გავლენას საქონლის წარმოება-განაწილების სფეროზე და სივრცის გამოყენებას ეკონომიკური საქმიანობისათვის. ეს ფაქტი საშუალებას იძლევა ვამტკიცოთ, რომ წარსულში ბევრი მეცნიერი ქვეცნობიერად აწარმოებდა გეოეკონომიკური ხასიათის (თანამედროვე გაგებით) კვლევებს. ფ.ლისტი ამგვარი მკვლევარის საუკეთესო მაგალითია, რომელმაც თავის ნაშრომებით გეოეკონომიკის ჩამოყალიბებისათვის საუკეთესო ბაზა შექმნა. ნაშრომში მოცემულია ფ. ლისტის შრომების ერთგვარი გენერალიზაცია. ამ საფუძველზე კეთდება დასკვნა, რომ ფ.ლისტის გეოეკონომიკური შეხედულებები თავისებურად ეხმიანება თანამედროვეობას. თუმცა, ავტორთა აზრით, ძნელია ბოლომდე გაიზიარო მეცნიერის კონცეფციები და მით უმეტეს აქტიურად იქნას გამოყენებული ეს კონცეფციები თანამედროვე ეპოქაში, რომლის ძირითადი ნიშანი გახდა გლობალიზაცია და ახალი გეოეკონომიკური წესრიგი. უფრო მეტიც, ავტორების მიერ გამოყოფილია ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც სრულიად შეუთავსებელია თანამედროვე გეოეკონომიკური სივრცისათვის.					

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.	გიორგი კვინიკაძე	Гео-экономические взгляды Фридриха Листа и современность	Network conference Human and Environmental Resources in Multiethnic Societies The conference is supported through the mobility program “Ostpartnerschaften” by the German Academic Exchange Service (DAAD), 5th –7th November 2015, Tbilisi

2.	გიორგი კვინიკაძე ლუიზა აბაზაძე	გეოეკონომიკური სტრატეგიები „ცივი ომის“ კონტექსტში	პროფესორ ალექსანდრე რონდელის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “სივრცე, პოლიტიკა, საზოგადოება”. ივნისი 2015 თბილისი

ანოტაცია 1

ნაშრომში მოცემულია ფ. ლისტის შრომების გენერალიზაცია. ამ საფუძველზე კეთდება დასკვნა, რომ ფ.ლისტის გეოეკონომიკური შეხედულებები თავისებურად ეხმიანება თანამედროვეობას. თუმცა, ავტორთა აზრით, ძნელია ბოლომდე გაიზიარო მეცნიერის კონცეფციები და მით უმეტეს აქტიურად იქნას გამოყენებული ეს კონცეფციები თანამედროვე ეპოქაში, რომლის ძირითადი ნიშანი გახდა გლობალიზაცია და ახალი გეოეკონომიკური წესრიგი. უფრო მეტიც, ავტორების მიერ გამოყოფილია ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც სრულიად შეუთავსებელია თანამედროვე გეოეკონომიკური სივრცისათვის.

ანოტაცია 2

საკვლევი პერიოდისთვის დამახასიათებელი ისეთი პრობლემები როგორიცაა: გამალებული შეიარაღება, სისტემათა შეჯიბრი სამხედრო და პოლიტიკური გავლენის სფეროებისათვის, სამეცნიერო ლიტერატურაში დეტალურადაა გაანალიზებული, თუმცა ის გეოეკონომიკური სტრატეგიები, რომელსაც აშშ და საბჭოთა კავშირი იყენებდნენ ერთმანეთის წინააღმდეგ სრულყოფილად ჯერ კიდევ არაა შესწავლილი. წარმოდგენილი ნაშრომი ამ ხარვეზის შევსების მოკრძალებულ მცდელობას წარმოადგენს.

საარქივო მასალებსა და ამ სფეროში მომუშავე ცნობილი მეცნიერთა (მაგალითად, ალექსანდრე ჰამილტონი, გეორგ ფრიდრიხ ლისტი, ელი ფილიპ ჰაქშერი, ედვარდ ჰალეტ კარი, ჯორჯ ფროსთ კენანი,პოლ მაიკლ კენედი, ჯოზეფ შუმპეტერი, ფრედ ჩარლზ იკლე, ედვარდ ნიკოლაე ლუტვაკი) შრომებზე დაყრდნობით, გაანალიზებულია პირველი ამერიკული გეოეკონომიკური დოქტრინა და მისი შექმნის მეცნიერული წინამძღვრები.

ცნობილი ამერიკელი სტრატეგის ე.ნ. ლუტვაკის ნაშრომის („ბიზანტიის იმპერიის სტრატეგია“) საფუძველზე მოცემულია საბჭოთა, აშშ-ს იმპერიების ფუნქციონირების გეოეკონომიკური სტრატეგიების ანალიზი, შეფასებულია მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ცივი ომის განმავლობაში გეოეკონომიკური სტრატეგიის განვითარების კულმინაციას წარმოადგენდა რონალდ რეიგანის პრეზიდენტობის პერიოდი (1981-1989). საბჭოთა კავშირის დაშლის სისტემურ

სტრატეგიაში გამოკვეთილია მისი გეოეკონომიკური შემადგენელი, რომლის ანალიზის საფუძველზეც კეთდება დასკვნები. კერძოდ, ეკონომიკური ომის ის სტრატეგია, რომლითაც აშშ ებრძოდა საბჭოთა იმპერიას, ავტორის მიერ მიჩნეულია ერთ-ერთ მთავარ და არა გადამწყვეტ ფაქტორად; დიდი სტრატეგიის კონტექსტში, საჭოთა კავშირის გეოეკონომიკური მარცხის მიზეზად სახელდება ის ფაქტი, რომ მთელი „ცივი ომის“ განმავლობაში საბჭოთა კავშირი უპირატესად ხელმძღვანელობდა „წარმოების სწორხაზოვანი ლოგიკით“, მაშინ როცა აშშ მოქმედებდა სტრატეგიის პარადოქსალური ლოგიკით; ავტორის აზრით, სწორედ „ცივი ომის“ პერიოდის გეოეკონომიკამ დახვეწა ის გეოეკონომკური სტრატეგია და ტაქტიკა, რომელმაც შემდგომ საფუძველი ჩაუყარა პოსტბიპოლარული სამყაროს გეოეკონომიკურ არქიტექტურას; გლობალური ეკონომიკის განვითარების ლოგიკის შესაბამისად, გაკეთებულია დასკვნა, რომლის მიხედვითაც XXI საუკუნეში ეკონომიკური ფაქტორები დიდ გავლენას მოახდენენ სახელმწიფოთა პოლიტიკებზე, რის გამოც ყველა სახეობის კონფლიქტებს შორის პირველ ადგილზე სწორედ გეოეკონომიკური კონფლიქტები დამკვიდრდება.

დანართი

დავით მაცაბერიძე

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: **საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი**

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ზურაბ დავითაშვილი

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორი ზურაბ დავითაშვილი,

ასოცირებული პროფესორი ფიქრია ასანიშვილი,

ასოცირებული პროფესორი თორნიკე თურმანიძე,

ასოცირებული პროფესორი სერგი კაპანაძე,

ასისტენტ-პროფესორი ეკა აკობია,

ასისტენტ-პროფესორი სოფიო პეტრიაშვილი,

ასისტენტ-პროფესორი დავით მაცაბერიძე.

II. 2. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	დავით მაცაბერიძე (საქართველოს კონკრეტული შემთხვევის – Case Study – და საქართველოს მაგალითის ავტორი)	კეთილსინდისიერების სახელმძღვანელო – იცხოვრე და იმუშავე კეთილსინდისიერების პრინციპებით	ლონდონი, დიდი ბრიტანეთი	244
ანოტაციები ქართულ ენაზე სახელმძღვანელო კეთილსინდისიერებას წარმოაჩენს მისი თეორიული და პრაქტიკული განზომილებით და საშუალებას იძლევა აღმნიშნული თემა მრავალფეროვანი სასწავლო მასალების სახით მიეწოდოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს.				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	დავით მაცაბერიძე	რუსეთის vs. ევროკავშირი/აშშ საქართველოსა და უკრაინის კონტექსტში. *Connections: The Quarterly Journal,*	ჟურნალი *#14,* კრებული #2,	თავდაცვის აკადემიების და უსაფრთხოების კვლევის ინსტიტუტების კონსორციუმი, ვენა, 2015	გვ. 77-86 (ინგლისურ ენაზე)
ანოტაციები ქართულ ენაზე ნაშრომში შედარებით პერსპექტივაში გაანალიზებულია პოსტ-საბჭოთა პერიოდში საქართველოს და უკრაინის უსაფრთხოების პრობლემები და გამოწვევები რუსეთის ფედერაციის ახლო საზღვაგარეთის პოლიტიკის კონტექსტში.					

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	დავით მაცაბერიძე	ისტორიის გადაწერა პოლიტიკური მიზნებისათვის: აფხაზეთის კონფლიქტის შემთხვევა	5-7 ნოემბერი, 2015 - ადამიანური და გარემო რესურსები მრავალეთნიკურ და მრავალკულტურულ საზოგადოებებში, ორგანიზებული გისენის უნივერსიტეტის (გერმანია) და ივ.ჯავახიშვილის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, თბილისი, საქართველო
მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე ნაშრომში გაანალიზებულია ისტორიის მანიპულაცია და ელიტების როლი საბჭოთა პოსტ-საბჭოთა პერიოდში აფხაზეთის კონფლიქტში ლატენტური და ღია კონფლქიტის ინიცირებაში.			

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	დავით მაცაბერიძე	*რბილი ძალა და ეთნოსთაშორისი თანამშრომლობა: თბილისსა და საქართველოს სეცესიურ რეგიონებს შორის სამომავლო ეკონომიკური ურთიერთობების დადებითი მხარეები და არსებული წინააღმდეგობები (2010-2014)*	2015, 7-9 იანვარი – საერთაშორისო კონფერენცია *“ტრანს-ეთნიკური კოალიციის მშენებლობა სახელმწიფოებში და სახელმწიფოებს შორის;”* ორგანიზატორები: უმცირესობების საკითხების ევროპული ცენტრი (ECMI), ლიტვის ისტორიის ინსტიტუტი, გლასგოს, ბრადფორდის და ტურკუს უნივერსიტეტები, ყაზახეთის საჯარო მმართველობის აკადემია და უფსალას უნივერსიტეტი, უფსალა, შვედეთი

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

ნაშრომში გაანალიზებულია აგვისტო ომის შემდეგ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ სოხუმისა და ცხინვალისადმი შეთავაზებული სამშვიდობო პროექტების “რბილი ძალის” ასპექტები და მათი აღქმა სეპარატისტების მხრიდან.

დანართი

დალი ოსეფაშვილი

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: **ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტი**

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ნინო ჭალაგანიძე

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორი მარიამ გერსამია,

პროფესორი დალი ოსეფაშვილი,

ასოცირებული პროფესორი მარი წერეთელი,

ასოცირებული პროფესორი მანანა შამილიშვილი,

ასოცირებული პროფესორი ირა ბიჭიკაშვილი,

ასოცირებული პროფესორი რუსუდან ვაშაკიძე,

ასოცირებული პროფესორი ნათია კუპრაშვილი,

ასოცირებული პროფესორი ნანული ტალახაძე,

ასოცირებული პროფესორი მაია ტორაძე,

ასოცირებული პროფესორი თამაზ ჯოლოგუა,

ასისტენტ-პროფესორი თამარ ბელქანია,

ასისტენტ-პროფესორი ხათუნა კაჭარავა,

ასისტენტ-პროფესორი მარინე ლომიძე,

ასისტენტ-პროფესორი მაგდა მემანიშვილი,

ასისტენტ-პროფესორი თეა მჟავანაძე,

ასისტენტ-პროფესორი ნინო ჭალაგანიძე

ასისტენტ-პროფესორი ხათუნა მაისაშვილი.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**დალი ოსეფაშვილი**	**სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო შრომების კრებული *"სივრცე საზოგადოება პოლიტიკა 2"***	უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015	გვ. 280-291

ოჯახური ძალადობის გაშუქება ქართულ ბეჭდურ მედიაში და ჟურნალისტური ეთიკის პრობლემები

კვლევის შედეგების მიხედვით, ოჯახური ძალადობა გამოწვეულია ოჯახური კონფლიქტებით. როგორც კვლევის შედეგები მოწმობს, ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი ძირითადად არიან ქალები, რომლებიც ფიზიკურ ძალადობას განიცდიან საკუთარი მეუღლეების მხრიდან, თუმცა მიუხედავად ამისა, მაინც არ ტოვებენ ოჯახებს და გაურბიან ამ თემაზე საუბარს;

ვხვდებით სენსაციური გაშუქების ფაქტებსაც, როდესაც ოჯახური ძალადობის კონკრეტული ფაქტებია წარმოდგენილი და ამგვარი ფაქტების გაშუქებისას არცთუ იშვიათად ირღვევა ჟურნალისტური ეთიკის ნორმები და ილახება ბავშვთა უფლებები – უთითებენ ძალადობის მსხვერპლი ქალისა თუ ბავშვის ვინაობას; უთითებენ ადგილსამყოფელს, თუ სად არის მსხვერპლი ქალი, რითაც ჩნდება საშიშროება, რომ მოძალადე ქმარმა მიაკითხოს და კვლავ მოახდინოს მასზე ძალადობა; მართალია, ჟურნალისტები ხშირად მსხვერპლი რესპონდენტის სახელ–გვარს არ ასახელებენ, მაგრამ იდენტიფიკაცია მაინცაა შესაძლებელი და ფოტოზეც ცნობადი ჩანს ქალი, მიუხედავად თვალების დაფარვისა; ჟურნალისტების მხრიდან გვხვდება ისეთი სახის შეცდომებიც, როდესაც ცდილობენ მსხვერპლი ქალების დადანაშაულებას; გვხვდება უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის ფაქტებიც და ა.შ.

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**Dali Osepashvili**	**გენდერი და კომუნიკაცია**	**USA, Ashgate Publishing**	**25 გვერდი (იბეჭდება)**

Covering Domestic Violence against Women in Georgian Print Media, and Problems of Journalism Ethics

კვლევა ბეჭდურ მედიაში ოჯახური ძალადობის თემის გაშუქებას ეხება. გამოყენებულია კონტენტანალიზისა და ფრეიმინგის მეთოდები. ასევე წარმოდგენილია თვისებრივი კვლევის შედეგებიც ქართველ მედია ექსპერტებთან და სოციალურ საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტების ინტერვიუების საფუძველზე.

კვლევის დასასრულს წარმოდგენილია რეკომენდაციები ქართველი ჟურნალისტებისთვის თუ როგორ უნდა გააშუქონ ეს ფაქიზი თემა კორექტულად, ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დაცვით.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**დალი ოსეფაშვილი**	**“ბავშვების თემის**		**ოქსფორდი, დიდი**	**იბეჭდება (ელექტრონული**

		გაშუქება – თვისებრივი კვლევა”		ბრიტანეთი	ვერსია ინდექსირებუ-ია Google Scholar-ში. იხ. ლინქი ქვემოთ)
კვლევა ეხება ბავშვთა თემის გაშუქებას ქართულ მედიაში. გამოყენებულია თვისებრივი მიდგომა – გაანალიზებულია სიღრმისეული ინტერვიუები ქართველ მედია ექსპერტებთან და სოციალურ თემაზე მიმუშავე ჟურნალისტებთან. კვლევა ჩატარდა 2015 წლის გაზაფხულზე. კვლევის შედეგების მიხედვით, წინა წლებათან შედარებით გაუმჯობესებულია ამ თემის გაშუქება მედიაში.					

http://www.inter-disciplinary.net/probing-the-boundaries/wp-content/uploads/2015/07/DOsepashvili-Child5-wpaper.pdf

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	დალი ოსეფაშვილი	მულტიმედია ახალი ამბების გამოყენება ქართულ ბეჭდურ და ონლაინ მედიაში	თსუ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
მოხსენების მიზანი იყო წარგვედგინა კვლევის შედეგები თუ როგორ იცვლება ქართულ ბეჭდურ და ონლაინმედიაში ფორმისეული სტრუქტურა ახალი ამბების გავრცელებისას და ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება რა გავლენას ახდენს ჟურნალისტური სტილის ფორმებზე (ჟანრებზე). როგორ ვითარდება მულტიმედია ჟურნალისტიკა საქართველოში? როგორ აისახება ეს პროცესი ახალი ამბების ფორმისეულ ტრანსფორმაციაზე? რა სიხშირით გამოიყენება ქართულ გაზეთებში ე.წ. კონვერგირებული ნიუსრუმი? ეს დროის გამოწვევაა თუ ტრადიციული მედიის დასასრული? - ეს გახლდათ ძირითადი საკვლევი კითხვები.			

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	დალი ოსეფაშვილი	“ბავშვების თემის გაშუქება – თვისებრივი კვლევა”	გლობალური ინტერდისციპლინური სამეცნიერო კონფერენცია,

			ოქსფორდი, დიდი ბრიტანეთი, *2015, ივლისი, 24-26 ივლისი*
კვლევა ეხება ბავშვთა თემის გაშუქებას ქართულ მედიაში. გამოყენებულია თვისებრივი მიდგომა – გაანალიზებულია სიღრმისეული ინტერვიუები ქართველ მედია ექსპერტებთან და სოციალურ თემაზე მიმუშავე ჟურნალისტებთან. კვლევა ჩატარდა 2015 წლის გაზაფხულზე. კვლევის შედეგების მიხედვით, წინა წლებათან შედარებით გაუმჯობესებულია ამ თემის გაშუქება მედიაში.			

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

IV. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	**ნდობა და ონლაინ ახალი ამბები**	**დალი ოსეფაშვილი**	**დალი ოსეფაშვილი**	**DAAD ს კვლევითი სტიპენდია პროფესორებისთვის, მიუნხენი, ლუდვიგ მაქსიმილიანეს უნივერსიტეტის კომუნიკაციისა და მედიის კვლევების ინსტიტუტი; შემოდგომა, 2015**

ჩემი კვლევითი პროექტის („ნდობა და ონლაინ ახალი ამბები“) მიზანი იყო ერთ-ერთ წამყვან ევროპულ უნივერსიტეტში, მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანეს უნივერსიტეტის მედიისა და მასკომუნიკაციის ინსტიტუტში 2 თვიანი ვიზიტი, რათა მომეძიებინა და დამემუშავებინა გერმანულენოვანი (და არა მხოლოდ) სამეცნიერო ლიტერატურა ონლაინმედიის მიმართ ნდობის საკითხებზე, რადგან მათ ამ საკითხების კვლევის დიდი გამოცდილება აქვთ.
გერმანიის რამდენიმე ინსტიტუტის პროფესორები (მიუნხენი, მიუნსტერი, ლაიფციგი და სხვ) მუშაობენ ნდობის ფაქტორების კვლევაზე.
აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ გერმანელი მკვლევარები განასხვავებენ ნდობისა (trust) და სანდოობა-დამაჯერებლობის (credibility) კონცეფციებს. მაშინ როდესაც ბევრი დასავლელი მკვლევარი (ძირითადად, ამერიკელები) ორივე ამ კონცეფციას აიგივებდა ნდობის (trust) კონცეფციასთან. მეც ასევე მქონდა გააზრებული ეს საკითხი, როდესაც რამდენიმე წლის წინ (2012) ჩავატარე საქართველოში კვლევა „ონლაინ ახალი ამბებისადმი საზოგადოების ნდობა საქართველოს მაგალითზე“ - და ის მოხსენების სახით წარვადგინე ევროპის კომუნიკაციების კვლევის ასოციაციის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის სექციის კონფერენციაზე პრაღაში. შემდეგ კი, 2014 წელს გამოქვეყნდა კემბრიჯის მკვლევართა გამომცემლობის კრებულში „მედია,

ძალა და ძალაუფლება“. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს სამეცნიერო მოხსენება ინდექსირებულია Thomson-ის Web of Science-ის ბაზაში.
ამდენად, ვფიქრობ, გერმანელი კოლეგების გამოცდილების შესწავლა და გაზიარება, ძალიან მნიშვნელოვანია. მთავარი შედეგი ამ სამეცნიერო ვიზიტის იქნება ის საბოლოო პროდუქტი, რომელსაც სამომავლოდ წარმოვადგენ.

დამატებითი ინფორმაცია: **ინტენსიური სალექციო კურსი მაგისტრანტებისთვის – „პოსტსაბჭოთა ქვეყნების მედია“, აპრილი, 2015, ბასერკანის პროგრამა, ჰელსინკის უნივერსიტეტი;**

დანართი

ვალერიან დოლიძე

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: **პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტი**

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: მალხაზ მაცაბერიძე

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე,

პროფესორი ალექსანდრე კუხიანიძე,

პროფესორი კორნელი კაკაჩია,

ასოცირებული პროფესორი ნანა მაჭარაშვილი,

ასოცირებული პროფესორი სალომე დუნდუა,

ასოცირებული პროფესორი გია ჟორჟოლიანი,

ასისტენტ-პროფესორი ზვიად აბაშიძე,

ასისტენტ-პროფესორი ვალერიან დოლიძე,

ასისტენტ-პროფესორი ავთანდილ ტუკვაძე,

ასისტენტ-პროფესორი ალექსანდრე წურწუმია.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	ვალერიან დოლიძე	პოლიტიკა და კომუნიკაციები	თბილისი	450

ანოტაციები ქართულ ენაზე

საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრება ძირითადად პოლიტიკური კომუნიკაციების ფორმით ფუნქციონირებს. ეს უკანასკნელნი წარმოადგენენ საინფორმაციო კავშირებს, რომლებიც მთლიანად გამსჭვალავენ პოლიტიკურ სისტემას, აკავშირებენ რა ერთმანეთთან მის ცალკეულ კომპონენტებსა და ელემენტებს. მათი ზემოქმედებით ყალიბდება პოლიტიკური აქტიურობის მოტივები და სტიმულები, მასობრივი და ინდივიდუალური პოლიტიკური ქცევები.

პოლიტიკური სისტემის ფუნქცონირების პროცესში პოლიტიკური კომუნიკაციები სხვადასხვა კონფიგურაციას იღებენ: ცალმხრივი, ორმხრივი და მრავალმხრივი, უშუალო და გაშუალებული, ჰორიზონტალური და ვერტიკალური (აღმავალი და დაღმავალი, ან კიდევ ურთიერთსაწინააღმდეგო, ორმხრივი მიმართულებით). ისინი საბოლოო ჯამში ფესვგამდგარნი არიან სხვა სფეროებში მიმდინარე კომუნიკაციებში – მაგალითად ფინანსები, შრომა და ა.შ., საიდანაც იღებენ საკუთარი ფუნქციონირებისათვის საჭირო ინფორმაციას, რომელსაც პოლიტიკისათვის რელევანტურ ხასიათს ანიჭებენ და შემოჰყავთ პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებაში. შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური კომუნიკაციები “ჩაძირულნი” არიან

საზოგადოების სხვა სფეროებში ფუნქციონირებად კომუნიკაციებში, რომელთა საფუძველზედაც ისინი წარმოიშობიან და არსებობენ.

პოლიტიკური კომუნიკაციების პროცესში მიმდინარეობს ინტერესების არტიკულაცია, აგრეგაცია და რეალიზება. ისინი პოლიტიკური პროცესის შექმნის, ფუნქციონირებისა და კვლავწარმოების საფუძველს წარმოადგენენ და უზრუნველყოფენ მას აუცილებელი ინფორმაციით. პოლიტიკური კომუნიკაციების პროცესში, პიროვნებების პოლიტიკური სოციალიზაციის საფუძველზე, მიმდინარეობს პოლიტიკური კურსების, პარტიების, პოლიტიკური რეჟიმების სოციალური ბაზების ფორმირება, გაფართოება და განმტკიცება.

პოლიტიკურ სისტემაში პოლიტიკური კომუნიკაციების როლსა და ფუნქციებს განსაზღვრავს ინფორმაციის მნიშვნელობა პოლიტიკისათვის. ინფორმაცია პოლიტიკური ქცევების ფორმირებისა და კონტროლის საშუალებას წარმოადგენს. ამიტომ ის ვინც აკონტროლებს საინფორმაციო ნაკადების ფორმირებას და საზოგადებაში გავრცელებას, ამავე დროს ფლობს მასობრივი ქცევების ფორმირებისა და მართვის მნიშვნელოვან საშუალებასაც. აქედან გამომდინარეობს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ადგილი და როლი პოლიტიკურ სისტემაში. მათ შეუძლიათ, როგორც ხელი შეუწყონ არსებული პოლტიკური სისტემების სტაბილურობას, ასევე შეარყიონ ისინი. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები განსაკუთრებულ როლს ასრულებენ საჯარო სფეროების შექმნასა და ფუნქციონირებაში, რადგანაც აკონტროლებენ მის შესასვლელს. ამიტომ მათი დემოკრატიზაცია საჯარო სფეროების დემოკრატიზაციის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ინტერენტი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საჯარო სფეროებისა და პოლიტიკური კომუნიკაციების დემოკრატიზაციას. ის აადვილებს საჯარო სივრცეებში შესვლასა და იქ ორმხრივი და მრავალმხრივი კომუნიკაციების განვითარებას თანასწორი პოზიციებიდან. მაგრამ ამის მიუხედვად, არ შეიძლება, რომ ინტერნეტის მნიშვნელობა კომუნიკაციების დემოკრატიზაციაში გადაჭარბებულად იქნეს შეფასებული. პოლიტიკური, ეკონომიკური და ტექნიკური ხასიათის შეზღუდვები აფერხებენ მისი დემოკრატიული შესაძლებლობების სრულად რეალიზაციას.

საჭიროა ერთმანეთისაგან განვასხვავოთ ერთი მხრივ საჯარო სფეროებისა და პოლიტიკური კომუნიკაციების დემოკრატიზაცია, ხოლო მეორე მხრივ კი პოლიტიკუი რეჟიმების დემოკრატიზაცია. პირველი ორი მათგანი ყოველთვის არ უწყობს ხელს ამ უკანასკნელს და პირიქით, მის საწინააღმდეგოდაც შეიძლება მოქმედებდეს. გარდა ამისა, ინტერნეტის მომხმარებლებიც არ არიან თანასწორნი კიბერსივრცეში არსებული ინფორმაციების წვდომის თვალსაზრისით. შეიძლება ითქვას, რომ კიბერსივრცეში აისახება საზოგადოებაში არსებული ძალა და გავლენა, სოციალური თანასწორობა/უთანასწორობა. ამის მიუხედავად, ის მაინც მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯია კომუნიკაციებისა და საჯარო სივრცეების დემოკრატიზაციის თვალსაზრისით, თუმცა – არასაკმარისი.

ინტერნეტი ფუნქციონირებს ერთმანეთისაგან მკაცრად იზოლირებული თემატური აუდიტორიების რეჟიმში, როცა ადრესატი თავად ირჩევს უკვე ჩამოყალიბებული ინტერესების შესაბამისად მისთვის საინტერესო ინფორმაციას. ეს ასუსტებს ახალი ინეტერესის გაჩენის შესაძლებლობას. ამიტომ ინტერნეტის როლი პოლიტიკისადმი ინტერესის გაღვიძებაში უფრო სუსტია ვიდრე პირადი საუბრებისა ცოცხალი კომუნიკაციების დროს. მისი პოლიტიკური მნიშვნელობა ძლიერდება პოლიტიკისადმი უკვე ჩამოყალიბებული ინტერესის ბაზაზე, რაც წარმოშობს ინტერნეტის მომხმარებელში პოლიტიკური ინფორმაციის მოძიების სურვილს

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ პოლიტიკური კომუნიკაციის ფუნქციები იმ ფუნქციებისაგან, რომელსაც ენა ასრულებს მათი ფუნქციონიების პროცესში. პოლიტიკური კომუნიკაციები აყალიბებენ პოლიტიკური სამყაროს ენობრივ სურათს, რაც პოლიტიკური

აქტიურობის განვითარების მნიშვნელოვან სტიმულს წარმოადგენს და უზრუნველყოფს პოლიტიკური აქტიურობის მოტივაციის განვითარებას.

პოლიტიკური კომუნიკაციების ფუნქციონირების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა პოლიტიკური ტექსტები, რომლებიც ყალიბდებიან ხელისუფლების მოპოვებისა და შენარჩუნების პროცესში. კომუნიკატორსა და ადრესატს შორის ვერბალური კომუნიკაცია მყარდება ტექსტების საშუალებით, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მათ სტრუქტურას, შინაარსს, ემოციური და რაციონალური ელემენტების პროპორციებს და ა.შ.

პოლიტიკური კომუნიკაციები რთულ, მრავალასპექტიან მოვლენას წარმოადგენენ. ამიტომ მათი შესწავლა სხვადასხვა, ხშირად ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებული დისციპლინების საზღვრებში მიმდინარეობს. ეს ართულებს ამ მოვლენის მთლიანობაში გააზრებას, რადგანაც ეს ინტერდისციპლინარულ მიდგომას საჭიროებს, რაც მოითხოვს არა სხვადასხვა დისციპლინების მიღწევების მექანიკურ გაერთიანებას, არამედ მათ სინთეზს, რომლის შედეგადაც მიიღება ახალი ცოდნა პოლიტიკური კომუნიკაციების, როგორც მთლიანი მოვლენის შესახებ.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	ვალერიან დოლიძე	სოციალური ცვლილებები და პოლიტიკური დინამოკის მექანიზმები საქართველოში	სივრცე, საზოგადოება. პოლიტიკა 2	თბილისი გვ.111-130	19გვ.

ანოტაციები ქართულ ენაზე

სოციალური ცვლილებები იწვევენ ინტერესების არტიკულაციისა და აგრეგაციის საზოგადოებრივი ბაზის შეცვლას, წარმოშობენ ახალ ინტერესებს და პოლიტიკურ დინამიკას, რომელებიც პოლიტიკური განვითარების ვექტორს წარმართავენ საზოგადოების მიერ განსაზღვრული მიმართულების შესაბამისად. საქართველოს პოლიტიკური განვითარების ორსაუკუნოვანი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საზოგადოების კლასობრივი შემადგენლობა, კულტურული, სოციალური და ეკონომიკური განვითარების დონე, საზოგადოებაში არსებული წინააღმდეგობები და ძლიერი სოციალური დისტანცია წარმოშობს შესაბამის პოლიტიკურ დინამიკას.

საზოგადოების შიგნით არსებული კლასობრივი დაპირისპირებით გამოწვეული შინაგანი გათიშვა, კულტურული, სოციალური და ეკონომიკური განვითარების დაბალი დონე, ძლიერი სოციალური დისტანცია იწვევს პოლიტიკური ვექტორის გადახრას მარცხნივ, ხოლო კლასობრივი დაპირისპირებულობის არარსებობა, სოციალური, კულტურული და ეკონომიკური განვითარების მაღალი დონე, ძალიან მცირე სოციალური დისტანცია და შინაგანის გათიშვის არარსებობა, შესაბამისი პოლიტიკური დინამიკის საფუძველზე პოლიტიკური განვითარების ვექტორს გადახრის მარჯვნივ.

საქართველოში მიმდინარე სოციალური ცვლილები აძლიერებენ საზოგადოებრივ ბაზას ინტერესების არტიკულაციისა და აგრეგაციისათვის პოლიტიკური სივრცის მარცხენა განზომილებაში.

II. 2. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	ვალერიან დოლიძე	. Вторая мировая война как основа современного политического мира и источник ее познания Институт Юридических и Политических Исследовании Академии Наук Молдовы, Институт По правам Человека Национальной Академии Наук Азербайджана, Гелатская Академия «Международный научный журнал Право и Политология»	N 1(29)март 2015გვ. 42-47	CHISINAU	6

ანოტაციები ქართულ ენაზე

მეორე მსოფლიო ომის გავლენა თანამედროვე პოლიტიკაზე ატარებს როგორც უშუალო, ასევე გაშუალებულ ხასიათს.

თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკურმა სისტემამ განვითარება დაიწყო მეორე მსოფლიო ომის პირობებში, ხოლო გადამწყვეტი როლი მის ჩასახვასა და განვითარებაში შეასრულა გერმანია-საბჭოთა კავშირის ომმა. ამ ომებმა შექმნეს მესამე მსოფლიო ომის თავიდან აცილების მექანიზმები და განსაზღვრეს თანამედროვე სახელმწიფოების ტერიტორიული საზღვრები, შექმნეს თანამედროვე საერთაშორისო სისტემის ფუნქციონირების ფუძემდებლური პრინციპები და ბევრად განაპირობეს მისი ძირითადი შტრიხები.

თანამედროვე უკრაინის, ბელორუსიის და მოლდოვის საზღვრები ჩამოყალიბდნენ მეორე მსოფლიოსა და სსრკ-გერმანიის ომების შედეგად. ამიტომ ამ ომების ინტერპრეტაცია, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის მოქმედებების შეფასება გერმანიასთან ომის დაწყების წინა პერიოდში, მნიშვნელოვან როლს ასრულებს მათი ტერიტორიულ ლეგიტიმაციის საქმეში. ისტორიის თანამედროვე პოლიტიკაზე გავლენის მაგალითს წარმოადგენს ბალტიისპირეთის რესპუბლიკების გამოსვლა საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან, როცა მათი სოვეტიზაციის ისტორიის სპეციფიკურმა ინტერპრეტაციამ გამოიწვია ამ რესპუბლიკების საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის დელეგიტიმაციას.

საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის დადებული ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ, საიდუმლო ოქმი ამ სახელმწიფოთა შორის გავლენის სფეროების გაყოფის შესახებ, სსრკ-ს მიერ დასავლეთ უკრაინის და დასავლეთ ბელორუსიის, ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის შემოერთება, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების სოვეტიზაცია, აუცილებლობით გამოწვეულ იძულებით ღონისძიებებს წარმოადგენდნენ. ისინი კოლექტიური უსაფრთხოებისათვის ბრძოლაში საბჭოთა კავშირის მიერ განცდილი მარცხის შედეგია. მას შემდეგ, რაც სსრკ-მ ვერ შეძლო შეეცვალა საერთაშორისო პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების წესი და მისი გადაყვანა ფუნქციონირებისა და თვითგადარჩენის ინდიდუალური პრინციპებიდან კოლექტიურზე , ის იძულებული გახდა დამოუკიდებლად ეზრუნა საკუთარი თავის გადარჩენაზე.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
	ვალერიან დოლიძე	**2015** Human and Environmental Resources in Multiethnic Societies. Tbilisi	2015წელი, ნოემბერი, თბილისი
	ვალერიან დოლიძე ავთანდილ ტუკვაძე	**2015** მესამე საერთაშირისო კონფერენცია “სივრცე საზოგადოება, პოლიტიკა-სოციალური და სივრცითი მობილობა” თსუ, თბილისი	2015 წელი, ივნისი, თბილისი
	ვალერიან დოლიძე	**2015** მე-16 საერთაშორისო კონფერენცია ამერიკანისტიკაში. თსუ	2015 წელი , მაისი, თბილისი

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1.ისტორია, როგორც პოლტიკის მატერიალური ძალა

ისტორიულმა მეხსირებამ შეცვალა თანამედროვე პოლიტიკური სამყარო. მან წარმოშვა კითხვები, რომლებზედაც ვერ შეძლეს პასუხის გაცემა ყოფილი სოციალისტური ქვეყნების ლიდერებმა. ამიტომ ისინი დამარცხდნენ პოლიტიკური მეხსირებისათვის ბრძოლაში. ამის შედეგი იყო კომუნიზმის კოლაფსი. საჯაროობის პერიოდში, როცა ადამიანები თანამედროვე კითხვებზე პასუხს ეძებდნენ წარსულში, ისტორია დაეუფლა მასებს და პოლიტიკის მატერიალურ ძალად იქცა. პოლიტიკის მატერიალურ ძალად გადაქცევის პროცესში ისტორია ასრულებს არსებული პოლიტიკური სინამდვილის შემეცნების, მისი ლეგიტიმაციის(დელეგიტიმაციის), ნაციონალური და პოლიტიკური იდენტობების შექმნის, პოლიტიკური ინტერესების ფორმირებისა და ლეგიტიმაციის, პოლიტიკური დისკურსის შექმნის, პოლიტიკური კომუნიკაციების, მომხრეთა ფორმირების ფუნქციებს.

2. პოლიტიკური სტაბილურობა და სოციალური მობილობა პოსტსაბჭოთა საქართველოში

სოციალური მობილობა იწვევს ახალი სტრატიფიკაციური სისტემის ფორმირებას საქართველოში, რაც გავლენას ახდენს ქვეყნის პოლიტიკურ სტაბილურობაზე. აღმავალი და დაღმავალი მობილობები წარმოშობენ ახალ სოციალურ იდენტობებს და ინტერესებს, რაც ცვლის ინტერესების არტიკულაციის სოცილაურ ბაზას. ეს უკანასკნელი იღებს დისკრეტულსა და წინააღმდეგობრივ ხასიათს. ამიტომ ინტერესების აგრეგაცია და პოლიტიკის შექმნაც კონფლიქტურ ხასიათს ატარებს. ეს საფრთხეს უქმნის პოლტიკური სისტემის სტაბილურობას. პოსტკომუნიზმი ქმნის სოციალური მობილობის ახალ არხებს, რომლებიც შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ- ფორმალური და არაფორმალური. პოსტსაბჭოთა საქართველო ხასიათდება დაღმავალი მობილობის სიძლიერით, რაც საფრთხეს უქმნის მის პოლიტიკურ სტაბილურობას. სოციალური ლიფტების რაოდენობისა და გამტარუნარიანობის შემცირება საფრთხეს უქმნის პოლიტიკურ სტაბილურობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღმავალი მობილობის მოთხოვნა გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ამის შესაძლებლობას იძლევიან საზოგადოებაში არსებული სოციალური ლიფტები.

3. რობერტ დალი დემოკრატიის ეკონომიკური პირობების შესახებ

რობერტ დალთან დემოკრატია გვევლინება, როგორც პოლიტეკონომიური სისტემა, რომელიც ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების ერთიანობას წარმოადეგენს. ეკონომიკური სისტემის არადემოკრატიული ხასიათი მნიშვნელოვნად ამუხრუჭებს პოლიტიკური დემოკრატიის განვითარებას. ამიტომ პოლიტიკურ დემოკრატიას უნდა შეესაბამებოდეს დემოკრატიულ პრინციპებზე ორგანიზებული ეკონომიკური სისტემა. მას ის თვითმართვად სამეწარმეო სისტემას უწოდებს, რომელიც გვევლინება, როგორც მშრომელთა კოოპერატიულ საკუთრებაში მყოფი საწარმოების ერთობლიობა. მაგრამ ის არაფერს ამბობს იმის შესახებ თუ რამდენად შესაძლებელია ეკონომიკური და სოციალური განვითარების არსებულ დონეზე ეკონომიკური სისტემის მის მიერ შემოთავაზებული დემოკრატიიზაციის პროექტის განხორციელება. ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ მის მეთოდოლოგიურ სისუსტეში – ის ვერ ხედავს იმ კავშირს რომელიც არსებობს ერთი მხრივ, ეკონომიკური და პოლიტიკური სისტების დემოკრატიულობასა, ხოლო მეორე მხრივ კი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისა და საზოგადოების ფუნქციონირების ტექნიკურ ბაზას შორის, რომელიც განაპირობებს შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას, რაც თავის მხრივ საკუთრების არსებული ფორმების საფუძველს წარმოადგენს.

დანართი

ვაჟა ლორთქიფანიძე

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: **საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტი**

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: გიორგი გოგსაძე

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორი რევაზ გაჩეჩილაძე,

პროფესორი გიორგი გოგსაძე,

პროფესორი იოსებ სალუქვაძე,

პროფესორი ვაჟა ლორთქიფანიძე,

ასოცირებული პროფესორი ვალერიან მელიქიძე,

ასოცირებული პროფესორი ნინო პავლიაშვილი,

ასოცირებული პროფესორი თამარ დოლბაია,

ასოცირებული პროფესორი ია იაშვილი,

ასოცირებული პროფესორი მარინა ბოკერია,

ასოცირებული პროფესორი ანზორ სახვაძე,

ასისტენტ-პროფესორი გიორგი კვინიკაძე,

ასისტენტ-პროფესორი ვლადიმერ ჩხაიძე,

ასისტენტ-პროფესორი ბაადურ წერეთელი.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	ლ. ჩიქავა, ვ. ლორთქიფანიძე	"საქართველოს ადამიანური რესურსები და მისი გამოყენება"	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შრომა- "საქართველოს ბუნებრივი რესურსები". თბილისი, 2015წ, სექტემბერი.	103
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ვ. ლორთქიფანიძე “კავკასიის მოსახლეობის ბინებრივი მოძრაობა XXს. და XXI საუკუნის დასაწყისში“	საქართველოს საპატრიარქოს ქართული უნივერსიტეტის შრომების კრებული, ტომი II.	თბილისი, 2015 წ, ნოემბერი. გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“	18
2	ვ. ლორთქიფანიძე „კავკასიის მოსახლეობის რაოდენობა და ეროვნული სტრუქტურა XX და XXI საუკუნის დასაწყისში“.	საქართველოს საპატრიარქოს ქართული უნივერსისტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომების კრებული	თბილისი, 2015 წ, სექტემბერი. გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“	17
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	ვ.ლორთქიფანიძე ა. თოთაძე	„როდის ვიყავით ყველაზე მეტნი“		თბილისი. 2015. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის შრომები.	16
ანოტაციები ქართულ ენაზე					

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
	ვ. ლორთქიფანიძე	კავკასიის მოსახლეობის ბინებრივი მოძრაობა XIX და XX საუკუნეებში	2015 წლის ნოემბერი. საქართველოს საპატრიარქოს ქართული უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფრენცია.

დანართი

ვლადიმერ ჩხაიძე

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: **საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტი**

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: გიორგი გოგსაძე

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორი რევაზ გაჩეჩილაძე,

პროფესორი გიორგი გოგსაძე,

პროფესორი იოსებ სალუქვაძე,

პროფესორი ვაჟა ლორთქიფანიძე,

ასოცირებული პროფესორი ვალერიან მელიქიძე,

ასოცირებული პროფესორი ნინო პავლიაშვილი,

ასოცირებული პროფესორი თამარ დოლბაია,

ასოცირებული პროფესორი ია იაშვილი,

ასოცირებული პროფესორი მარინა ბოკერია,

ასოცირებული პროფესორი ანზორ სახვაძე,

ასისტენტ-პროფესორი გიორგი კვინიკაძე,

ასისტენტ-პროფესორი ვლადიმერ ჩხაიძე,

ასისტენტ-პროფესორი ბაადურ წერეთელი.

II. 2. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	J.Salukvadze, V.Chkhaidze	„Geoinformation Law and Practice" "Geoinformation and Development in Transitional Economics"	Warsaw. ISBN 978-83-64611-01-8	21 (202-221)
პუბლიკაციის ეს თავი აღწერს იმ უპირატესობებს, რომელსაც იძლევა მიწის ინფორმაციის მრავალპროფილიანი გამოყენება. ქართული მაგალითი ცხადყოფს, რომ თანამედროვე გეოგრაფიული ინფორმაციული მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვამ ხელი შეუწყო მიწის მართვისა და მიწის ადმინისტრირების სისტემის სტიმულირებას და მიწის ბაზრის განვითარებას.				

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
	ვ.ჩხაიძე, ნ.გვათუა	უძრავი ქონების რეგისტრაციისა და კადასტრის სისტემების ინტეგრაცია	თბილისი, ნოემბერი. საერთაშორისო კონფერენცია “ინოვაციები ინფორმაციულ ტექნოლოგიებში” (GITI)
მოხსენებაში აღწერილია უძრავი ქონების რეგისტრაციისა და კადასტრის სისტემების ზოგიერთი თავისებურებები, პროცესების რეალიზაციის ტექნოლოგია და ამ პროცესების ინტეგრაციის შესაძლებლობები, უპირატესობანი და შედეგები.			

დანართი

ზვიად აბაშიძე

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: **პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტი**

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: მალხაზ მაცაბერიძე

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე,

პროფესორი ალექსანდრე კუხიანიძე,

პროფესორი კორნელი კაკაჩია,

ასოცირებული პროფესორი ნანა მაჭარაშვილი,

ასოცირებული პროფესორი სალომე დუნდუა,

ასოცირებული პროფესორი გია ჟორჟოლიანი,

ასისტენტ-პროფესორი ზვიად აბაშიძე,

ასისტენტ-პროფესორი ვალერიან დოლიძე,

ასისტენტ-პროფესორი ავთანდილ ტუკვაძე,

ასისტენტ-პროფესორი ალექსანდრე წურწუმია.

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	ეროვნული იდენტობის საკითხები ემიგრაციული ქართული ლიტერატურის მიხედვით	რუსთაველის ფონდი	ნინო პოპიაშვილი	ვიყავი მიწვეული სპეციალისტი პროექტში
დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე) პროექტის მთავარი მიზანია ერუვნული იდენტობის საკითხების გარკვევა ემიგრაციულ ქართულ ლიტერატურაში. ჩემი საკვლევი თავი გახრდათ, ზოგადად ეროვნული იდენტობის თეორიული საკითხები განხილვა				

II. 1. პუბლიკაციები:
ა) საქართველოში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	ზვიად აბაშიძე. თავი სახელმზღვანელოში (ავტორთა კოლექტივი)	დემოკრატია და მოქალაქეობა	იბეჭდება	50
ანოტაციები ქართულ ენაზე სახელმძღვანელო ეხება დემოკრატიულ წეს-წყობილებაში ადამიანის, როგორც მოქალაქის გააზრებას, თუ რა უფლება-მოვალეობები გააჩნია მას. ჩემს მიერ შესრულებული თავი ეხება მმართველობის სისტემების ანალიზს და სხვადასხვა ინსტიტუციური აქტორების როლს, ამა თუ იმ პოლიტიკური რეჟიმის ჩამოყალიბების/არსებობის პირობებში.				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	ზვიად აბაშიძე	ეთნიკური უმცირესობების საკითხი ევროპული ინსტიტუციების კონტექსტში	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	10
ანოტაციები ქართულ ენაზე სტატია ეხება საქართველოში ეთნიკური უმცირესობების საკითხებს ევროპული პოლიტიკის კონტექსტში				

II. 2. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნა-ლის/კრებუ-ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	1) **Zviad**	**Годишник на**	**- година IV.**	Югозападният университет	15

	Abashidze, Salome Dundua. Ethnic diversity and Civic Integration in Post-Communist Country: case of Georgia 2)) Zviad Abashidze, Salome Dundua, Tamar Karaia /Nation-Building and Politics of Memory: Case of Georgia 3) Zviad Abashidze. Ethnic Fragmentation as challenge for Post-Socialist Georgia 4) Zviad Abashidze. Ethnic Minorities and European Politics/Policies: case of Georgia	**катедра "Философски и политически науки"**	**2015**	„Неофит Рилски“ , Благоевград, България იბეჭდება სლოვაკეთში (იბეჭდება პოლონეთში ჟურნალში Athenaeum, Polish Political Science Studies იბეჭდება გდანსკის უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტის დარგობრივ გამოცემაში	15 15 12

ანოტაციები ქართულ ენაზე

1.სტატია ეხება ეთნიკური უმცირესობების და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებს საქართველოში.

2.სტატია ეხება მეხსიერების ადგილს თანამედროვე ქართულ დისკურსში. ნაშრომში გაანალიზებული უმთავრესად პოსტ-კომუნისტური საქართველოში მეხსიერების

პოლიტიკის მნიშვნელობას ეროვნული იდენტობის დადგენის პროცესში.

3. სტატია ეხება ეთნიკური ფრაგმენტაციის წარმოშობი მიზეზებს საქართველოში და მის ადგილს ეროვნული იდენტობის დადგენის პროცესში.

4. სტატიაში გაანალიზებულია კონკრეტული ევროპული ინსტიტუციების როლი ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებით საქართველოში და მათი ზეგავლენის ხარისხი სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
	ზვიად აბაშიძე	ლიტერატურა და ეროვნული იდენტობის საკითხები საქართველოში	მიგრაციული პროცესები და იდენტობათა ტრანსლაცია / საერთაშორისო კონფერენცია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დიასპორათა საკითხში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ინტელექტუალური მიგრაციის ინსტიტუტი, კროსკულტურული უნივერსუმი. თბილისი 2015
მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე მოხსენებაში გაანალიზებული ლიტერატურული ნარატივების ადგილი ქართული ეროვნული იდენტობის ფორმირების საკითხში. მოხსენებაში უმთავრესად მე-19, მე-20 საუკუნის ვითარებაა შესწავლილი.			

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
	Zviad Abashidze	Ethnic Minorities and European Politics/Policies: case of Georgia	Myths and symbols of politics, social issues, pathologies of the contemporary World. By Institute of Political Science of Gdansk University, Poland. 2015
მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე მოხსენება ევროპული ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკის მიმოხილვას და მის შედარებით ანალიზს საქართველოსთან			

დანართი

თამაზ ჯოლოგუა

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: **ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტი**

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ნინო ჭალაგანიძე

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორი მარიამ გერსამია,

პროფესორი დალი ოსეფაშვილი,

ასოცირებული პროფესორი მარი წერეთელი,

ასოცირებული პროფესორი მანანა შამილიშვილი,

ასოცირებული პროფესორი ირა ბიჭიკაშვილი,

ასოცირებული პროფესორი რუსუდან ვაშაკიძე,

ასოცირებული პროფესორი ნათია კუპრაშვილი,

ასოცირებული პროფესორი ნანული ტალახაძე,

ასოცირებული პროფესორი მაია ტორაძე,

ასოცირებული პროფესორი თამაზ ჯოლოგუა,

ასისტენტ-პროფესორი თამარ ბელქანია,

ასისტენტ-პროფესორი ხათუნა კაჭარავა,

ასისტენტ-პროფესორი მარინე ლომიძე,

ასისტენტ-პროფესორი მაგდა მემანიშვილი,

ასისტენტ-პროფესორი თეა მჟავანაძე,

ასისტენტ-პროფესორი ნინო ჭალაგანიძე

ასისტენტ-პროფესორი ხათუნა მაისაშვილი.

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური ოცტომეული. ფილოლოგიის	რუსთაველის ფონდი	**როსტომ ჩხეიძე** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი	**ჩემი პოზიცია:** რედაქტორი

	მეცნიერებები. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.			

დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

2015 წელს გამოიცა აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიური ოცტომეულის ორი ტომი:

1. ტ. VI (მხატვრული პროზა. 1863-1912). ტომი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები, შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო **ნანა ფრუიძემ**. ტომის რედაქტორი **თამაზ ჯოლოგუა**. თბილისი: გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“. 2015.
2. ტ. IX (თარგმნილი და გადმოკეთებული თხზულებები). ტომი გამოსაცემად მოამზადეს, ვარიანტები, შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთეს **ლამარა შავგულიძემ და ლამარა გვარამაძემ**. ტომის რედაქტორი **თამაზ ჯოლოგუა**. თბილისი: გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“. 2015.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	თამაზ ჯოლოგუა	დიმიტრი ყიფიანის ორი საისტორიო თხზულება ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს რეკომენდაციითა და სათანადო მსვლელობის შემდეგ გადაეცა თსუ გამომცემლობას		

ანოტაციები ქართულ ენაზე

მონოგრაფია წარმოადგენს დიმიტრი ყიფიანის მიერ 1850-იან წლებში გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნებული ორი საისტორიო თხზულების თარგმანს სამეცნიერო აპარატის თანდართვით (წინასიტყვაობა, შენიშვნები, კომენტარები, ანოტირებული საძიებლები).

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	**კახა ჯამბურია, თამაზ ჯოლოგუა** (შემდგენლები)	**რა არის თავისუფლება?** კრებული II. წინათქმითა და ანოტაციებით.	თბილისი „მოქალაქე“	364 გვ.
2.	**კახა ჯამბურია, თამაზ ჯოლოგუა** (შემდგენლები)	**რა არის თავისუფლება?** კრებული III. წინათქმითა და ანოტაციებით.	თბილისი „მოქალაქე“	438 გვ.

ანოტაციები ქართულ ენაზე

ორივე კრებული სტრუქტურითა და მიზანდასახულობით ერთგვაროვანია, შესულია ქართველ და უცხოელ ავტორთა მხატვრული და პუბლიცისტური ტექსტები. განკუთვნილია ახალგაზრდობისთვის სამოქალაქო ცნობიერების ასამაღლებლად (თემატიკა: თავისუფლების რაობა, ეროვნულ და საკაცობრიო ღირებულებათა ურთიერთმიმართება, პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესთა ჰარმონიზაცია, უმცირესობათა უფლებები და სხვ.). ახლავს წინათქმები და ანოტაციები კრებულში შესული ავტორებისა და კონკრეტული ტექსტების შესახებ.

კრებულები მომზადებულია შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში არასამთავრობო ორგანიზაცია (ააიპ) „მოქალაქის“ დაკვეთითა და დაფინანსებით.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	თამაზ ჯოლოგუა	დიმიტრი ყიფიანი სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ.	ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, 20.III, №6	თბილისი	გვ. 4
2.	თამაზ ჯოლოგუა	აკაკის „განთიადის“ ისტორიისათვის	ჟურნალი „NAEK.ge“. მარტი. №6.	თბილისი შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი	გვ. 26-28

3.	თამაზ ჯოლოგუა	ვინ და რატომ გასცა 1832 წლის შეთქმულება?	ჟურნალი „NAEK.ge“. ივნისი. №7.	თბილისი შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი	გვ. 26-29.

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. სტატიაში მიმოხილულია დიმ. ყიფიანის 1883 წ. წერილი იურისტ თ. ბიკოვისადმი, რომელშიც წერილის ავტორი გამოდის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ და აყალიბებს თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც: „სიკვდილით დასჯა მკვლელობაა, მით უფრო დასაძრახი, რამდენადაც მკვლელობას მართლმსაჯულების სახელით სჩადიან“.
2. სტატიაში დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით დამუშავებულია ა. წერეთლის ლექსის „განთიადი“ დაწერის ისტორიასთან, თარიღსა და ადრესატთან დაკავშირებული საკითხები.
3. სტატიაში დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით უარყოფილია 1832 წლის შეთქმულების გაცემასთან ნიკოლოზ ფალავანდიშვილის რაიმე ფორმით კავშირი და წარმოჩენილია იასე ფალავანდიშვილის მიერ შეთქმულების გაცემის მოტივაცია და გარემოებები.

დანართი

თამარ ბელქანია

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: **ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტი**

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ნინო ჭალაგანიძე

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორი მარიამ გერსამია,

პროფესორი დალი ოსეფაშვილი,

ასოცირებული პროფესორი მარი წერეთელი,

ასოცირებული პროფესორი მანანა შამილიშვილი,

ასოცირებული პროფესორი ირა ბიჭიკაშვილი,

ასოცირებული პროფესორი რუსუდან ვაშაკიძე,

ასოცირებული პროფესორი ნათია კუპრაშვილი,

ასოცირებული პროფესორი ნანული ტალახაძე,

ასოცირებული პროფესორი მაია ტორაძე,

ასოცირებული პროფესორი თამაზ ჯოლოგუა,

ასისტენტ-პროფესორი თამარ ბელქანია,

ასისტენტ-პროფესორი ხათუნა კაჭარავა,

ასისტენტ-პროფესორი მარინე ლომიძე,

ასისტენტ-პროფესორი მაგდა მემანიშვილი,

ასისტენტ-პროფესორი თეა მჟავანაძე,

ასისტენტ-პროფესორი ნინო ჭალაგანიძე

ასისტენტ-პროფესორი ხათუნა მაისაშვილი.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.	თამარ ბელქანია	რუსთაველი სტალინის ეპოქაში და ერთი თარგმანის საიდუმლო ისტორია(საქ.შ.ს.ს არქივების მიხედვით)	პოლონეთი. ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ქვეყნების შემსწავლელი ცენტრი.გრიგოლ ფერაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ყოველწლიური საერტაშორისო

			კონფერენცია. 2015.5-8 დეკემბერი

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

ნაშორმი, საგანგებოდ ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ქვეყნების შემსწავლელი ცენტრის, ჟურნალ PRO GEORGIA იმ ნომრისთის(n25-2015) შეიქმნა,რომელიც შოთა რუსთაველისადმი არის მიძღვნილი. ის მიზნად საქართველოს შსს არქივში დაცული იმ საქმეების ამოწევა, შესწვლა და პროპაგადას ისახავს, სადაც საუბარია თუ როგორ შეიქმნა კონკრეტულად 1941წელს „ვეფხისტყაოსნის“ რუსულენოვანი გამოცემა, რომელიც ტყვეობაში მყოფნა შალვა ნუცუბიძემ თარგმნა, და შესავალი ბოლშევიკმა ასევე ტყუვეობაში მყოფმა სერგო ქავთარაძემ დაწერა. არქივში დაცული მასალები შესაძლებლობას იძლევა თვალყური გავადევნოთ ტოტალიტარულ სახელმწიფოში თუ როგორ იქმნება სამეცნიერო, მედია პროდუქტი - წიგნი. როგორ იგეგმება სამეცნიერო ველი, რას წარმოადგენდა პოლიტიკური კონიუქტურა, და რეპრესიების რა მექანიზმებს ფლობდა სახელმწიფოს ერთმპიროვნეული მმართველი-სტალინის სახით.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
	განათლება გამოგარჩევს	თამარ ბელქანია	ტვ. ერთსულოვნება	წმ. ანდრია პირველწოდებული სახელობის ქართული უნივერსიტეტი

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

პროექტი მიზნად ისახავდა სამეცნიერო ველის და მედია რესურსების გაერთიანებას და განათლების პროპაგანდას. 6თვის განმავლობაში ქართულ უნივერსიტეტში დამზადდა 5დოკუმენტური ფილმი, სადაც წარმოჩინებულნი იყვნენ უნივერსიტეტის მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტები და გამორჩეული ადადემიური პერსონალი.

პრაქტიკულ შედეგს წარმოადგენს ის, რომ საუნივერსიტეტო ველს მიეცა შესაძლებლობა ემუშავათ კამერის წინაშე, მათი ვერბალური იმიჯის დასახვეწად თუ აზრის ლოგიკურად პოპულარულ ენაზე ჩამოყალიბება ვფიქრობთ რომ თანამედროვე საზოგადო მოღვაწისთვის საჭირო უნარჩვევაა.

მნიშნელოვან აქტიობად განვიხილავ საავტორო მედიაპროექტებს

1. გადაცემა „ ისტორიის გაკვეთილი“(პარალელური ისტორია, რომელიც არქივებშია დაცულია)2013-1014წ ტვ „ერთსულოვნება“
2. „მედია ოკუპირებულ ტერიტორიებზე“(ის მედია, რომელიც იქმნება აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონში)2015მარტი-ივლისი ტვ „ერთსულოვნება“
3. „ერთიანი მშვიდობიანი კავკასია“ (კავკასიური კულტურის, ეთნოგრაფიის ისტორიის წარმოჩენა) ტვ. „ერთსულოვნება“
4. ყველა გადაცემაში მონაწილეობას ღებულობენ აკადემირი ველის წარმომადგენლები, როგორც საქართველოდან ასევე მთელი სმოფლიოდან) 2016წ იანვარი.

გადაცემის ავტორი და წამყვანი.

დანართი

თამარ დოლბაია

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: **საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტი**

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: გიორგი გოგსაძე

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორი რევაზ გაჩეჩილაძე,

პროფესორი გიორგი გოგსაძე,

პროფესორი იოსებ სალუქვაძე,

პროფესორი ვაჟა ლორთქიფანიძე,

ასოცირებული პროფესორი ვალერიან მელიქიძე,

ასოცირებული პროფესორი ნინო პავლიაშვილი,

ასოცირებული პროფესორი თამარ დოლბაია,

ასოცირებული პროფესორი ია იაშვილი,

ასოცირებული პროფესორი მარინა ბოკერია,

ასოცირებული პროფესორი ანზორ სახვაძე,

ასისტენტ-პროფესორი გიორგი კვინიკაძე,

ასისტენტ-პროფესორი ვლადიმერ ჩხაიძე,

ასისტენტ-პროფესორი ბაადურ წერეთელი.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
	თამარ დოლბაია	**”ბალტიისა და შავი ზღვის რეგიონების შედარებითი ანალიზი”**	**რიგა, ლატვია, 21-24 ოქტომბერი**
მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე **მოხსენებაში განხილულია შავი ზღვისა და ბალტიის ზღვის აუზების საპორტო სისტემების განვითარებისა და ფუნქციონირების თავისებურებები. მოცემულია მნიშვნელოვანი საპორტო მახასიათებლების შედარებითი ანალიზი.**			

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
	თანამედროვე ქართული საზოგადოების ცხოვრების წესი და განვითარების პერსპექტივა	ხელმძღვანელი– ასოცირებული პროფესორი ნინო დურგლიშვილი	ამირან ბერძენიშვილი, მარინა ბურძენიძე, თამარ დოლბაია, ნათელა დონაძე, შორენა თურქიაშვილი, თეონა მატარაძე, მარინა ქევხიშვილი, ჯაბა უროტაძე ილონა გოგია, ნინო ამონაშვილი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 3 მაგისტრანტი და 21 ბაკალავრიატის სტუდენტი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში შემოსული პროექტი

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

ცხოვრების წესი, როგორც ზოგადი სოციალური კატეგორია, ობიექტური (ცხოვრების პირობები, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი გარემო/მდგომარეობა და ა. შ.) და სუბიექტური (ატიტუდები/დამოკიდებულებები, პრეფერენციები, ღირებულებითი ორიენტაციები, მოლოდინები და სხვა) ასპექტების სისტემას წარმოადგენს.

პირველ ეტაპზე მოძიებულ იქნა სამეცნირო ლიტერატურა და კვლევითი ანგარიშები, რომლებიც ეხებოდა ზოგადად საზოგადოების და კონკრეტულად კი ქართული საზოგადოების ცხოვრების წესს. ჯგუფის წევრებმა მათი კვლევითი ინტერესების მიხედვით შეადგინეს სხვადასხვა თემატური ბლოკები. ჯგუფის წევრებმა მათი კვლევითი ინტერესების მიხედვით შეადგინეს სხვადასხვა თემატური ბლოკები. სტრატიფიცირებული კლასტერული შერჩევის დიზაინის გამოყენებით საქართველოს მასშტაბით გამოკითხულ იქნა 1060 ადამიანი.

მას შემდეგომ, რაც მონაცემთა ბაზა გაიწმინდა, მონაცემები გადაეცა პროექტში ჩართულ თითოეულ მკვლევარს. რომლებიც თავიანთი ბლოკების მიხედვით ახორციელებდნენ მონაცემთა სტატისტიკურ და სოციოლოგიურ ანალიზს. ანალიზის დროს გამოყენებულ იქნა როგორც აღწერითი სტატისტიკა ასევე ახსნითი და მოხდა მონაცემების გაანალიზება სხვადასხვა სოციოლოგიური თეორიის ჩარჩოებში.

თანამედროვე ქართული საზოგადოების ცხოვრების წესის კვლევამ საშუალება

მოგვცა:

ა) გამოვავლინეთ ფაქტორები, რომლებიც საზოგადოების განვითარებაზე ზემოქმედებს;

ბ) შევაფასეთ ამ ფაქტორების ზემოქმედების როლი (ხელშემწყობი/ხელშემშლელი) და ხარისხი;

გ) განვახორციელეთ მომავლის ალტერნატივათა მოდელირება და შევიმუშაოთ რეკომენდაციები.

დანართი

თამარ მახარაძე

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: **სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტი**

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: იაგო კაჭკაჭიშვილი

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორი ამირან ბერძენიშვილი,

პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი,

ასოცირებული პროფესორი ნინო დურგლიშვილი,

ასოცირებული პროფესორი თამარ მახარაძე,

ასოცირებული პროფესორი ლია წულაძე,

ასოცირებული პროფესორი კახა ქეცბაია,

ასოცირებული პროფესორი ლელა გაფრინდაშვილი,

ასოცირებული პროფესორი მარინა ბურძენიძე,

ასოცირებული პროფესორი ნათელა დონაძე,

ასოცირებული პროფესორი თამარ საბედაშვილი,

ასისტენტ-პროფესორი შორენა თურქიაშვილი,

ასისტენტ-პროფესორი თეონა მატარაძე,

ასისტენტ-პროფესორი სალომე ნამიჭეიშვილი,

ასისტენტ-პროფესორი ზურაბ ტატანაშვილი.

II. 2. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნანა სუმბაძე თამარ მახარაძე თამარ აბაშიძე ირინე ჟვანია	მიკრო და მაკრო ფაქტოების გავლენა შშმ პირთა სამუშაო გარემოსთან ადაპტაციასა და შორმით ეფექტურობაზე: კვლევის ანგარიში-ნაწილი I რაოდენობრივი კვლევა	თსუ გამომცემლობა	20

2	ნანა სუმბაძე თამარ მახარაძე თამარ აბაშიძე ირინე ჟვანია	მიკრო და მაკრო ფაქტოების გავლენა შშმ პირთა სამუშაო გარემოსთან ადაპტაციასა და შორმით ეფექტურობაზე: კვლევის ანგარიში-ნაწილი II თვისებრივი კვლევა	თსუ გამომცემლობა	133

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. რაოდენობრივი კვლვა მიზნად ისახავს ეკონომიკური სექტორებისა და რეგიონების მიხედვით დასაქმებული შშმ პირების ზოგადი სურათის შექმნასა და სამუშაო პირობებისადმი მათი დამოკიდებულებების შესწავლას.

   კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ ის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, რომელთა შეზღუდული შესაძლებლობა გამოწვეულია: (1) ფიზიკური, გადაადგილების პრობლემებით, (2) სენსორული პრობლემებით, (3) ინტელექტუალური პრობლემებით და/ან (4) ფსიქიკური პრობლემებით.
   კვლევის ფარგლებში გაკეთებული შერჩევა ეყდნობა სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზას.კვლევაში შერჩევა მონაცემთა ბაზიდან განხორციელდა შემთხვევითი სისტემური შერჩევის პრინციპის გამოყენებით.
   სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის ოქტომბრის მონაცემების მიხედვით, შშმ პირთა ყველაზე დიდი წილი რეგიონის მოსახლეობასთან მიმართებაში რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთშია, შემდეგ კი იმერეთსა და აჭარაშია. თბილისში შშმ პირთა წილი ქალაქის მოსახლეობასთან მიმართებით არ არის დიდი. სოციალური მომსახურების სააგენტოს ბაზის ანალიზის მიხედვით, დასაქმებულ შშმ პირთა ნახევარზე მეტი თბილისში მუშაობს, დასაქმებულთა დაახლოებით ერთი მეათედი - აჭარაში და ამდენივე იმერეთში მუშაობს. დასაქმებულ შშმ პირთა შორის ყველაზე დიდია მნიშვნელოვანი შეზღუდვის მქონე პირთა წილი.
   საწარმოთა მიხედვით, შშმ პირები უფრო ხშირად დიდ, შემდეგ საშუალო და ყველაზე იშვიათად მცირე საწარმოებში არიან დასაქმებული. იურიდიული სტატუსის მიხედვით ისინი უფრო ხშირად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში (შპს), შემდეგ საჯარო სამართლის იურიდიული და არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის სტატუსის მქონე საწარმოებში მუშაობენ. დასაქმებულთა ყველაზე დიდი წილი განათლების, შემდეგ ვაჭრობისა და მომსახურების სფეროშია კონცენტრირებული. რაც შეეხება საწარმოში დასაქმებული შშმ პირთა რაოდენობას, ყველაზე ხშირად საწარმოში ერთი შშმ პირია დასაქმებული.

2. თვისებრივი კვლევა ჩატარდა შემდეგ ქალაქებში: თბილისი, ახალციხე, ბათუმი, გორი, კასპი, ზუგდიდი, თელავი, საგარეჯო, ქუთაისი. კვლევამ სამი სამიზნე ჯგუფი მოიცვა: შშმ პირები, დამსაქმებლები და ექსპერტები. კვლევა სამი კომპონენტისგან შედგებოდა: სიღრმისეული ინტერვიუ, ფოკუს ჯგუფი და შემთხვევის შესწავლა.

სულ ჩატარდა 30 სიღრმისეული ინტერვიუ, 14 ფოკუს ჯგუფი და შესწავლილი იყო 6 შემთხვევა. კვლევამ მოიცვა 9 ქალაქი. კვლევაში ჩართული იყო 121 მონაწილე, რომელთაგან 69 შშმ პირი იყო, 47 დამსაქმებელი და 5 სფეროს ექსპერტი. თვისებრივი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები შემდეგი კატეგორიების მიხედვით გაანალიზდა: (1) ორგანიზაციული კონტექსტი და სამუშაო პროცესთან დაკავშირებული ფაქტორები, (2) სამსახურის გარეთ არსებული ფაქტორები და (3) სახელმწიფო პოლიტიკასთან დაკავშირებული ფაქტორები.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
	თ. მახარაძე	The Main Challenges of Environmental and sustainability Education in Georgia: Preschool and School level	International Conference for Teaching and Education, organized by the International Journal of Arts and Sciences, 16-20 March, 2015, Las Vegas, USA.
მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე კვლევის მიზანი იყო გარემოსდაცვითი განათლების შეფასება საქართველოს ფორმალური და არაფორმალური განთლების სფეროში. არსებული მიღწევების და გამოწვევების იდენტიფიცირება; ასევე, იმის შეფასება, თუ რამდენად უწყობს არსებული მიდგომები ბავშვებში/მოსწავლეებში გარემოსადმი სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, შესაბამისი ცოდნისა და უნარების შეძენას. კვლევა ჩატარდა ძირითადად ქ. თბილისში			

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	შშმ პირთა დასაქმება საქართველოში – პოლონეთის, უნგრეთისა და ჩეხეთის რესპუბლიკის მაგალითზე	თამარ მახარაძე	1.თ.მახარაძე 3.ა. ქიტიაშვილი 4. თ.აბაშიძე 5. ი.ჟვანია	ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდი
2	მიკრო და მაკრო ფაქტორების გავლენა შშმ პირთა სამუშაო	თამარ მახარაძე	.თ.მახარაძე 2. ნ.სუმბაძე 3.ა. ქიტიაშვილი	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა

	გარემოსთან ადაპტაციასა და შრომით ეფექტურობაზე		4. თ.აბაშიძე 5. ი.ჟვანია 6.მ. მაისურაძე	და სოციალური დაცვის სამინისტრო

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

1. კვლევითი პროექტი ეხება საქრთველოში შშმ პირთა დასაქმების ეფექტური გზის შესწავლას ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნების გამოცდილებისა და საქართველოში არსებული რეალობის შესწავლის გზით. კვლევის ფარგლებში, პოლონეთში, უნგრეთსა და ჩეხეთის რესპუბლიაკში ჩატარდა სამაგიდე კვლევა, რომელიც სწავლობდა ამ ქვეყანაში არსებულ გამოცდილებას შშმ პირთა დასაქმების მიმართულებით. საქართელოში ჩატარდა ანალაგოგიური სამაგიდე კვლევა; გარდა ამისა ჩატარდა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა, რომელიც სწავლობდა დამსაქმებელებისა და საზოგადოების წევრების დამოკიდებულებას შშმ პირთა დასაქმების მიმართ; ასევე სწავლობდა თავად შშმ პირთა მოსაზრებას დასაქმებასთან დაკავშირებით. კვლევის შედეგებს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია შშმ პირთა დასაქმების ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში.

2. კვლევის ფარგლებში შესწავლილი იყო ის მიკრო და მაკრო ფაქტორები, რომლებიც გაველნას ახდენს სამუშაო გარემოსთან შშმ პირების შეგუებასა და მათ შრომით ეფექტურობაზე. კვლევითი პროექტის ფარგლებში ჩატარდა რაოდენობრვიცი და თვისებრივი კველვები. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები შემდეგი კატეგორიების მიხედვით გაანალიზდა: (1) ორგანიზაციული კონტექსტი და სამუშაო პროცესთან დაკავშირებული ფაქტორები, (2) სამსახურის გარეთ არსებული ფაქტორები და (3) სახელმწიფო პოლიტიკასთან დაკავშირებული ფაქტორები. კვლევის შედეგებს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია შშმ პირთა დასაქმების ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში.

დანართი

თეონა მატარაძე

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: **სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტი**

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: იაგო კაჭკაჭიშვილი

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორი ამირან ბერძენიშვილი,

პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი,

ასოცირებული პროფესორი ნინო დურგლიშვილი,

ასოცირებული პროფესორი თამარ მახარაძე,

ასოცირებული პროფესორი ლია წულაძე,

ასოცირებული პროფესორი კახა ქეცბაია,

ასოცირებული პროფესორი ლელა გაფრინდაშვილი,

ასოცირებული პროფესორი მარინა ბურძენიძე,

ასოცირებული პროფესორი ნათელა დონაძე,

ასოცირებული პროფესორი თამარ საბედაშვილი,

ასისტენტ-პროფესორი შორენა თურქიაშვილი,

ასისტენტ-პროფესორი თეონა მატარაძე,

ასისტენტ-პროფესორი სალომე ნამიჭეიშვილი,

ასისტენტ-პროფესორი ზურაბ ტატანაშვილი.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	მარინა ბურძენიძე, თეონა მატარაძე	"დანაშაულის, პატიმრებისა და მათი სოციალური სტატუსის აღქმა თბილისის მოსახლეობის მიერ," სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა 2	ISBN 978-9941-13-434-0 ISSN 2346-7959, ნომერი 2, 2015	თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა,	15 გვ.

ანოტაციები ქართულ ენაზე

სტატიას საფუძვლად უდევს 2013 წლის მაის-ივნისში თბილისში ჩატარებული რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევა, კერძოდ მასობრივი გამოკითხვა პირისპირი ინტერვიუს მეთოდით. შერჩევის დიზაინი იყო მრავალსაფეხურიანი კლასტერული შერჩევა. კვლევის გენერალურ ერთობლიობას წარმოადგენდა თბილისის მოსახლეობა. შერჩევის ზომა იყო 540, ცდომილების კოეფიციენტი 4.2% (95% სანდოობისათვის). სტატიაში განხილულია შემდეგი საკითხები:

- თბილისის მოსახლეობის მიერ დანაშაულის, დანაშაულის ჩადენაზე გავლენის მქონე ფაქტორების და სასჯელის აღქმა;
- თბილისის მოსახლეობის განწყობები დამნაშავეების და ყოფილი პატიმრების მიმართ;
- თბილისის მოსახლეობის დამოკიდებულება 2012 წლის სექტემბერში გამოქვეყნებული ციხის კადრების მიმართ;
- თბილისის მოსახლეობის დამოკიდებულება 2012-2013 წლებში პატიმრების მასიური გათავისუფლების მიმართ.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
	თეონა მატარაძე	მიგრაციის სოციალური ეფექტები საქართველოს სოფლებში"	III საერთაშორისო კონფერენცია, "სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა" თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 25 ივნისი, 2015 წელი

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

მოხსენება ეფუძნებოდა 2006-2007 წლებში დასავლეთ საქართველოში ჩატარებულ ერთლწლიან ეთნოგრაფიულ კვლევას. კვლევის ფარგლებში შესწავლილი იყო თუ რა გავლენა აქვს მიგრაციას საქართველოს სოფლებზე. გავლენა არის მრავალგვარი: ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური. მიგრანტების გზავნილები მნიშვნელოვან ეკონომიკურ რესურსს წარმოადგენს მათი ოჯახის წევრებისათვის, რომელიც გარდა ყოველდღიური ხარჯებისა ინვესტირდება ახალი თაობის განათლებასა და ქალაქებში უძრავი ქონების შეძენაში, რაც საბოლოო სოფლიდან მომავალი თაობის ქალაქში მიგრაციას უწყობს ხელს. მიგრანტები პოლიტიკურად პასიურები არიან, ისინი არც გამგზავნი საზოგადოების პოლიტიკურ ლანდშაფტზე ახდენენ გავლენას და არც მიმღები საზოგადოების და ძირითადად ეკონომიკური რესურსების მობილიზებით არიან დაკავებულები. მიგრაციის ნეგატიური გავლენა განსაკუთრების ოჯახის სტრუქტურაზე აისახება, ის იწვევს ოჯახების დაშლას და ოჯახის წევრებს შორის უფლება-მოვალეობების არათანაბრად გადანაწილებას.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
	თეონა მატარაძე	"Friendship of People" during Political Crises"	"Identities on the Move: The Caucasus Between the Local, the Regional, and the Global" Conference at Qafqaz university, Baku, May 15-16, 2015

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოსახლეობის მობილობამ როგორც ქვეყნების შიგნით ისე ქვეყნებს შორის მასიური ხასიათი მიიღო. პოლიტიკური კრიზისები, ეთნიკური დაპირისპირებები, ეკონომიკური პრობლემები აიძულებდა მილიონობით ყოფილ საბჭოთა მოქალაქეს თავისი ეკონომიკური რესურსი სხვა ერთობებში ეძებნათ. მოხსენება ეფუძნებოდა ანთროპოლოგიურ კვლევას, რომელიც საქართველოს ჩრდილო დასავლეთ ნაწილში ჩატარდა. გამოყენებული კვლევის მეთოდები იყო ჩართული დაკვირვება, აღწერა, სიღრმისეული ინტერვიუები, ცხოვრების ისტორიები და დოკუმენტების ანალიზი. მოხსენებაში გააანალიზებული იქნა საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული პოლიტიკური დაძაბულობა 2006 წელს, რომლის გავლენით რუსეთიდან 4000 ქართველი ლეგალური და არალეგალური მიგრანტი იქნა დეპორტირებული. მოხსენებაში აღწერილი და გაანალიზებული იყო რა სტრატეგიებს იყენებდნენ მიგრანტები მიგრაციაში მიმღები ქვეყნის მწვავე პოლიტიკის ნეგატიური შედეგის შესამცირებლად. მიუხედავად მძიმე პოლიტიკური გარემოსი, მიგრანტები და მიმღები საზოგადოება "ხალხთა შორის არსებულ მეგობრობას" იცავს და ურთიერთს დახმარების ხელს უწვდის.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
	თანამედროვე ქართული საზოგადოების ცხოვრების წესი და განვითარების პერსპექტივა, სოციალური მეცნიერებები, სოციოლოგია	ნინო დურგლიშვილი	ამირან ბერძენიშვილი, მარინა ბურძენიძე, ნათელა დონაძე, შორენა თურქიაშვილი, თეონა მატარაძე, მარინა ქევხიშვილი, ილონა გოგია, ნინო ამონაშვილი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 3 მაგისტრანტი და 21 ბაკალავრიატის სტუდენტი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში შემოსული პროექტი

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

ცხოვრების წესი, როგორც ზოგადი სოციალური კატეგორია, ობიექტური (ცხოვრების პირობები, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი გარემო/მდგომარეობა და ა. შ.) და სუბიექტური (ატიტუდები/დამოკიდებულებები, პრეფერენციები, ღირებულებითი ორიენტაციები, მოლოდინები და სხვა) ასპექტების სისტემას წარმოადგენს.

პირველ ეტაპზე მოძიებულ იქნა სამეცნიერო ლიტერატურა და კვლევითი ანგარიშები, რომლებიც ეხებოდა ზოგადად საზოგადოების და კონკრეტულად კი ქართული საზოგადოების ცხოვრების წესს. ჯგუფის წევრებმა მათი კვლევითი ინტერესების მიხედვით შეადგინეს სხვადასხვა თემატური ბლოკები. სტრატიფიცირებული კლასტერული შერჩევის დიზაინის გამოყენებით საქართველოს მასშტაბით გამოკითხულ იქნა 1060 ადამიანი.

მას შემდეგომ, რაც მონაცემთა ბაზა გაიწმინდა, მონაცემები გადაეცა პროექტში ჩართულ თითოეულ მკვლევარს. რომლებიც თავიანთი ბლოკების მიხედვით ახორციელებდნენ მონაცემთა სტატისტიკურ და სოციოლოგიურ ანალიზს. ანალიზის დროს გამოყენებულ იქნა როგორც აღწერითი სტატისტიკა ასევე ახსნითი და მოხდა მონაცემების გაანალიზება სხვადასხვა სოციოლოგიური თეორიის ჩარჩოებში.

თანამედროვე ქართული საზოგადოების ცხოვრების წესის კვლევამ საშუალება მოგვცა:

ა) გამოვავლინეთ ფაქტორები, რომლებიც საზოგადოების განვითარებაზე ზემოქმედებს;

ბ) შევაფასეთ ამ ფაქტორების ზემოქმედების როლი (ხელშემწყობი/ხელშემშლელი) და ხარისხი;

გ) განვახორციელეთ მომავლის ალტერნატივათა მოდელირება და შევიმუშაოთ რეკომენდაციები.

დანართი

თორნიკე თურმანიძე

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: **საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი**

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ზურაბ დავითაშვილი

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორი ზურაბ დავითაშვილი,

ასოცირებული პროფესორი ფიქრია ასანიშვილი,

ასოცირებული პროფესორი თორნიკე თურმანიძე,

ასოცირებული პროფესორი სერგი კაპანაძე,

ასისტენტ-პროფესორი ეკა აკობია,

ასისტენტ-პროფესორი სოფიო პეტრიაშვილი,

ასისტენტ-პროფესორი დავით მაცაბერიძე.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	თორნიკე თურმანიძე	„საქართველო: ბუფერი თუ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი?“	ექსპერტის აზრი № 35	თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი	15
	Tornike Turmanidze	„Georgia: Buffer or NATO Ally?”	Expert Opinion N 35	Tbilisi: Georgian Foundation for Strategic and International Studies	12
ანოტაციები ქართულ ენაზე პუბლიკაცია გამოცემულია როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე http://gfsis.org/media/download/library/articles/opinion/35-turmanidze-GEO.pdf http://gfsis.org/media/download/library/articles/opinion/35-turmanidze-ENG.pdf					

დანართი

იოსებ სალუქვაძე

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: **საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტი**

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: გიორგი გოგსაძე

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორი რევაზ გაჩეჩილაძე,

პროფესორი გიორგი გოგსაძე,

პროფესორი იოსებ სალუქვაძე,

პროფესორი ვაჟა ლორთქიფანიძე,

ასოცირებული პროფესორი ვალერიან მელიქიძე,

ასოცირებული პროფესორი ნინო პავლიაშვილი,

ასოცირებული პროფესორი თამარ დოლბაია,

ასოცირებული პროფესორი ია იაშვილი,

ასოცირებული პროფესორი მარინა ბოკერია,

ასოცირებული პროფესორი ანზორ სახვაძე,

ასისტენტ-პროფესორი გიორგი კვინიკაძე,

ასისტენტ-პროფესორი ვლადიმერ ჩხაიძე,

ასისტენტ-პროფესორი ბაადურ წერეთელი.

II. 2. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

კრებულები (თავი კრებულში)

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Joseph Salukvadze. CHAPTER 7. THE RURAL GEORGIA: TRENDS OF SOCIOECONOMIC DEVELOPMENT	The LEADER Method: Transferring Experience of the Visegrad Group Countries to Georgia. Edited by: Łukasz Sykała, Magdalena Dej, Oskar Wolski	Institute of Urban Development, Kraków 2015	18 (155-172)
წიგნის ეს თავი ეძღვნება საქართველოს სასოფლო დასახლებებისა და ტერიტორიების მოკლე ანალიზს, მასში არსებულ დემოგრაფიულ, სოციალურ და ეკონომიკურ პირობებსა და პრობლემებს. განხილული და გაანალიზებულია სასოფლო ეკონომიკაში/სოფლის მეურნეობაში არსებული რეგიონული სხვაობები, სხვაობები საყოფაცხოვრებო/				

კომუნალური და სოციალური მომსახურების სფეორებში. ნაშრომი იძლევა პრობლემების ზოგად ანალიზს, მათი გამომწვევი მიზეზების იდენტიფიკაციას და მსჯელობას გადაჭრის გზებზე.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	GENTILE, M., **SALUKVADZE, J.,** GOGISHVILI, D.	Newbuild gentrification, tele-urbanization and urban growth: placing the cities of the post-Communist South in the gentrification debate. Geografie	Geografie, 2015/120, No. 2	Prague	30 (134–163).
სტატიაში განხილულია თბილისის ახალმშენებლობების გეოგრაფიის სოციალურ-ეკონომიკური საპექტები. კვლევა ეყრდნობა მენაშენეებთან და მობინადრეებთან ჩატარებულ ინტერვიუებს. ეს კვლევა ეხმაურება ლიის (2012) მოწოდებას, რომ შესწავლილ იქნას ჯენტრიფიკაციის ახალი სახეები 'გლობალური ჩრდილოეთის' ტენდენციების შემდგომი თეორეტიზაციის მიზნით, რაც ძირითადად 'ახალმშენებლობებით გამოწვეულ ჯენტრიფიკაციას' უკავშირდება. თბილისის მაგალითი გვიჩვენებს განსხვავებულ ტენდენციას, როცა ახალმშენებლობები ძირითადად დემოგრაფიული ზრდისა და უცხოეთიდან გადმორიცხული თანხების 'დეპოზიტირებას' ემსახურება, რაც ერთგვარი ტელე-ურბანიზაციის ნიმუშად უნდა ჩავთვალოთ.					
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2	**SALUKVADZE, Joseph,** Golubchikov, Oleg	City as a geopolitics: Tbilisi, Georgia — A globalizing metropolis in a turbulent region	Cities, Volume 52, March 2016,	Elsevier	15 (39–54)
თბილისის, თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებად განხილული ქალაქის თავისებურებები, დახასიათებულია გეოპოლიტიკური, პოლიტიკური არჩევნის, გლობალიზაციის შესახებ დისკურსის, ისტორიული და ურბანული გამოწვევების ანალიზისა და მათ საფუძველზე მიმდინარე საქალაქო ტრანსფორმაციის პოზიციებიდან. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1991 წლიდან თბილისი წარმოადგენს					

ნაციონალური სახელმწიფოს მშენებლობის ეპიცენტრსა და ექსპერიმენტების ავანგარდს. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ გამოიწვია ეკონომიკური სირთულეები, ეთნიკური ჰომოგენიზაცია და საქალაქო გარემოს არაფორმალური თვისებების მომრავლება. 2000-იანი წლების შედარებითმა ეკონომიკურმა გამოცოცხლებამ კი ასახვა ჰპოვა ურბანული რეგენერაციის, ახალმშენებლობებისა და თვალსასეირო პროექტების განხორციელებაში, რაც თბილისს თანამედროვე გლობალური მეტროპოლიების რიგში აყენებს. ეს პროცესები იწვევს ურთიერთსაპირისპირო და საკამათო ტენდენციების გაჩენას, როგორიცაა ქალაქის ისტორიული მემკვიდრეობის უგულვებელყოფას, სოციალურ და სივრცით პოლარიზაციას და ქალაქის საზოგადოებრივი სივრცეების განადგურებას. კონსენსუსზე აგებული ურბანული პოლიტიკის არარსებობა და ზედმეტად დერეგულირებული გეგმარებითი რეჟიმები არიან განხილული, როგორც უფრო მდგრადი საქალაქო განვითარების ძირითადი ხელშემშლელი ფაქტორები.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	იოსებ სალუქვაძე	ურბანიზაცია	დემოკრატიის საზაფხულო ბანაკი. 6-12 ივნისი. იუსტიციის სასწავლო ცენტრი. ყვარელი
2	Joseph Salukvadze	Role of the cities for regional development: Case of Georgia	5th Conference on Overcoming Regional Disparities - CORD, 1-2 October, Tbilisi
1. მოხსენება მიეძღვნა ურბანიზაციის განმარტებას, ურბანული განვითარების დახასიათებასა და მისი კანონზომიერების დადგენას მსოფლიოში და საქართველოში, ურბანული განვითარების მნიშვნელობის შეფასებას ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის. 2. განხილულია საქართველოს ურბანული სისტემის რეგიონული განვითარების მიზეზები და თავისებურებები; მოცემულია ქალაქების ეკონომიკური განვითარების აუცილებლობების ანალიზი.			

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Joseph Salukvadze	Territorial development and urban planning in Georgia. Ira-urban workshop.	Almaty, 7 May

2	Joseph Salukvadze	[Lack of] good governance and informalities in urban sector in Georgia (Case of Tbilisi). Workshop 'Good Governance and Informality'.	Bern, 3 June.

1. განხილულია საქართველოში ურბანული დაგეგმარების სფეროში არსებული საკანონმდებლო, ინსტიტუციური საფუძვლები და ის პრაქტიკები, რომლებიც გამოიყენება გალაქების სივრცითი ზრდა-განვითარების პროცესში.

2. კარგი, პასუხისმგებლობით აღსავსე მმართველობითი სისტემის დანერგვის აუცილებლობა ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა საზოგადოების განვითარების წარმატებული დონის მისაღწევად საქართველოში, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა ქვეყანაში. განხილულია მმართველობის სისტემაში განხორციელებული ცვლილებები და მის ფონზე გაანალიზებულია საქალაქო განვითარების სფეროში არსებული სამი არაფორმალური პროცესი: მრავალსართულიან შენობებზე მიშენებები, საზოგადოებრივი სივრცეების შეზღუდვა ახალმშენებლობების გზით (ჩაშენებები) და ტრადიციული ღანდშაფტების დამანგრეველი ახალმშენებლობები ქალაქების ისტორიულ უბნებში.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	Georgia Housing Review; funded by the World Bank (2014-2015)	Dr Ahmed Eiweida, Task Team Leader	**Joseph Salukvadze**, Leading local researcher	მსოფლიო ბანკის დაფინანსება
საქართველოს საბინაო ფონდისა და საცხოვრისის სექტორის შესწავლა და ანალიზი: საკანონმდებლო, ინსტიტუციური, საბაზრო, ტექნიკური და სოციალური ასპექტები; რეკომენდაციები შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურებისათვის.				

IV. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	Social Contents of Changing Housing Landscapes of the Capital Metropolises of	David Sichinava, PhD	Department of Human Geography,	შვეიცარიის კონფედერაციის სახელმწიფო

	Armenia and Georgia: Institutions, Stakeholders, Policies; funded by Academic Swiss Caucasus Network (ASCN) (2014-2016).		Faculty of Social and Political Sciences, TSU and Yerevan State University **Joseph Salukvadze**, Leading researcher	გრანტი, შვეიცარია-კავკასიის აკადემიური ქსელის საშუალებით
ქალაქების თბილისისა და ერევნის საცხოვრებელი გარემოს ფორმირებისა და განვითარების სოციალური და სივრცითი გამოვლინებების შედარებითი დახასიათება და ანალიზი.				

დანართი

ირა ბიჭიკაშვილი

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: **ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტი**

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ნინო ჭალაგანიძე

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორი მარიამ გერსამია,

პროფესორი დალი ოსეფაშვილი,

ასოცირებული პროფესორი მარი წერეთელი,

ასოცირებული პროფესორი მანანა შამილიშვილი,

ასოცირებული პროფესორი ირა ბიჭიკაშვილი,

ასოცირებული პროფესორი რუსუდან ვაშაკიძე,

ასოცირებული პროფესორი ნათია კუპრაშვილი,

ასოცირებული პროფესორი ნანული ტალახაძე,

ასოცირებული პროფესორი მაია ტორაძე,

ასოცირებული პროფესორი თამაზ ჯოლოგუა,

ასისტენტ-პროფესორი თამარ ბელქანია,

ასისტენტ-პროფესორი ხათუნა კაჭარავა,

ასისტენტ-პროფესორი მარინე ლომიძე,

ასისტენტ-პროფესორი მაგდა მემანიშვილი,

ასისტენტ-პროფესორი თეა მჟავანაძე,

ასისტენტ-პროფესორი ნინო ჭალაგანიძე

ასისტენტ-პროფესორი ხათუნა მაისაშვილი.

II. 2. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	Ирина Бичикашвили	"Интрига - движущая сила современной журналистики. Причины, приведшие в этому." Журнал "Вестник.		Познань, Польша	стр. 37-41

		Наука и практика."			

ანოტაციები ქართულ ენაზე

სტატიაში განხილულია ის თუ როგორ განიხილება იდეალურ დონეზე ინტრიგა ჟურნალისტიკაში. რატომ სჭირდება ჟურნალისტიკას ინტრიგა, როგორ უნდა იყოს იდეალური ჟურნალისტიკა და რა კავშირშია საზოგადოების დეჰუმანიზაცია და ინტრიგის პოპულარობა.

დანართი

კახა ქეცბაია

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: **სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტი**

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: იაგო კაჭკაჭიშვილი

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორი ამირან ბერძენიშვილი,

პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი,

ასოცირებული პროფესორი ნინო დურგლიშვილი,

ასოცირებული პროფესორი თამარ მახარაძე,

ასოცირებული პროფესორი ლია წულაძე,

ასოცირებული პროფესორი კახა ქეცბაია,

ასოცირებული პროფესორი ლელა გაფრინდაშვილი,

ასოცირებული პროფესორი მარინა ბურძენიძე,

ასოცირებული პროფესორი ნათელა დონაძე,

ასოცირებული პროფესორი თამარ საბედაშვილი,

ასისტენტ-პროფესორი შორენა თურქიაშვილი,

ასისტენტ-პროფესორი თეონა მატარაძე,

ასისტენტ-პროფესორი სალომე ნამიჭეიშვილი,

ასისტენტ-პროფესორი ზურაბ ტატანაშვილი.

პუბლიკაციები:

1) საქართველოში

ა) მონოგრაფიები/**თარგმანი**

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**კახა ქეცბაია**	**რუსული რელიგიური ფილოსოფია**	**თბ., გამ. Carpe diem**	**400**

ანოტაცია

წიგნი რუსული რელიგიური ფილოსოფიის კორიფეების – ვ. სოლოვიოვის, ნ. ბერდიაევის, პ. ფლორენსკის, ს. ბულგაკოვის, ს. ფრანკის, ძმებ ტრუბეცკოების, ლ. ტოლსტოის, გ. ედოტოვისა და მარია კარავევას ცხოვრებასა და რელიგიურ შემოქმედებას შეეხება. თარგმანს თან ერთვის მთარგმნელის შესავალი წერილი, კომენტარები და შენიშვნები.

ბ) **სახელმძღვანელოები**

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**კახა ქეცბაია**	**მეცნიერების სოციოლოგია**	**თბ., გამ. „უნივერსალი“. 2015**	**387**

ანოტაცია

1. წიგნი მეცნიერების სოციოლოგიის პრობლემების შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის შეჯერების შედეგად შედგენილ სალექციო კურსს წარმოადგენს, რომელსაც მისი ავტორი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის მიმართულებაზე კითხულობს.

წიგნში ერთ-ერთი ახალი დარგობრივი სოციოლოგიური დისციპლინის – მეცნიერების სოციოლოგიის – ძირითადი პრობლემები და საკვანძო საკითხებია განხილული. მასში მეცნიერება განხილულია როგორც სოციალური ფენომენი, რომელიც დიდ როლს ასრულებს თანამედროვე საზოგადოებაში.

სალექციო კურსის უმთავრესი საკითხებია: მეცნიერება როგორც სოციალური ინსტიტუტი, მეცნიერების სტრუქტურა და მისი მთელი რიგი შინაგანი პროცესები, მეცნიერების შესახებ არსებული სოციოლოგიური თეორიები, მეცნიერებისა და გარე, სოციალური ფაქტორების ურთიერთზემოქმედება, ინტერაქციული პროცესები მეცნიერებაში, ადამიანი და მეცნიერება, მეცნიერების სოციოლოგიის პრაქტიკული პრობლემები და მრავალი სხვა.

სალექციო თემატიკას თან ერთვის სხვადასხვა სახის საკითხავი მასალა (ამონარიდები ქართველი და უცხოელი მკვლევრების შესაბამისი ნაშრომებიდან), მასალა განსჯისათვის, მეცნიერების სოციოლოგიის ძირითადი ცნებებისა და ტერმინების განმარტებანი, მთელი რიგი კითხვები და დავალებები, სალექციო თემატიკის შესახებ არსებული ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურა და ა. შ.

წიგნი უმთავრესად სოციოლოგიის მიმართულების სტუდენტთათვისაა განკუთვნილი.

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	კახა ქეცბაია	რელიგია და ეკონომიკა (სოციოლოგიური ანალიზი). კრ. „ფილოსოფიური ძიებანი“,	ტ. 19.	თბ., გამ. „უნივერსალი“	18
2.	კახა ქეცბაია	ლექციები რელიგიის სოციოლოგიაში: რელიგიის უახლესი სოციოლოგიური თეორიები. ჟურნალი „რელიგია“	№1, 2015.	თბილისი	10
3.	კახა ქეცბაია	თარგმანი, ალ. მენი, ვლადიმირ სოლოვიოვი ჟურნალი „რელიგია”	№2, 2015	თბილისი	15
4.	კახა ქეცბაია	პოსტმოდერნისტული ხედვები და მიდგომები განათლების სოციოლოგიაში თბილისი ღია უნივერსიტეტის შრომები 2015	№1	თბილისი	15

5.	კახა ქეცბაია	თარგმანი, ალ. მენი, მამა პავლე ფლორენსკი. ჟურნალი „რელიგია”	№4, 2015	თბილისი	18
6.	კახა ქეცბაია	საინტერესო ნაშრომი ისტორიოსოფიაში (რეცენზია ზურაბ ხასაიას წიგნზე „გერმანელი სილოსოფოსები ისტორიის შესახებ“ თსუ-ს ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“	თომი 8. №2. 2015.	თსუ-ს გამომცემლობა	5 თანაავტორები: ა. ბრეგაძე, ი.კალანდია

ანოტაციები

1. სტატიაში რელიგიისა და ეკონომიკის ურთიერთმიმართება განხილულია მაქს ვებერისა და რობერტ ნილ ბელას კონცეფციების მიხედვით. ნაჩვენებია რელიგიის მნიშვნელობა თანამედროვე საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაში. ცალკე საკითხადაა გამოყოფილი მართლმადიდებლობისა და ეკონომიკის ურთიერთმიმართება.
2. სტატიში რელიგიის უახლესი, თანამედროვე სოციოლოგიური თეორიებია გაანალიზებული. (იგი გაგრძელებაა 2014 წელს გამოქვეყნებული სტატიის თემატიკის).
3. სტატიაში ვლ. სოლოვიოვის ცხოვრებისა და რელიგიური ფილოფიის საკვანძო საკითხებია განხილული.
4. სტატიაში განათლების შესახებ არსებული თითქმის ყველა ძირითადი პოსტმოდერნისტული თეორია, ხედვა და მიდგომაა წარმოდგენილი. ძირითადი საკითხებია: ცოდნის ლეგიტიმაცია, მოდერნისტული გაგებით განათლების ტრანსფორმაცია და მისი პოზიტიური და ნეგატიური შედეგები.
5. სტატიაში მამა პავლე ფლორენსკის ცხოვრებისა და რელიგიური ფილოფიის საკვანძო საკითხებია განხილული.
6. რეცენზია პროფესორ ზურაბ ხასაიას წიგნს: „გერმანელი ფილოსოფოსები ისტორიის შესახებ“ შეეხება, რომელიც რეცენზენტების აზრით, ისტორიის ფილოსფიური ანალიზის ერთ-ერთი შედევრია.

სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.	**კახა ქეცბაია**	**თამაზ ბუაჩიძე ქართული კულტურის შესახებ**	**27. 04. 2015. თსუ**

მოხსენების ანოტაცია

1. მოხსენება ქართული კულტურის ორიგინალობისა და თავისთავადობის ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის – თამაზ ბუაჩიძისეულ ფილოსფიურ დასაბუთებას შეეხებოდა.

დანართი

ლელა გაფრინდაშვილი

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: **სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტი**

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: იაგო კაჭკაჭიშვილი

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორი ამირან ბერძენიშვილი,

პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი,

ასოცირებული პროფესორი ნინო დურგლიშვილი,

ასოცირებული პროფესორი თამარ მახარაძე,

ასოცირებული პროფესორი ლია წულაძე,

ასოცირებული პროფესორი კახა ქეცბაია,

ასოცირებული პროფესორი ლელა გაფრინდაშვილი,

ასოცირებული პროფესორი მარინა ბურძენიძე,

ასოცირებული პროფესორი ნათელა დონაძე,

ასოცირებული პროფესორი თამარ საბედაშვილი,

ასისტენტ-პროფესორი შორენა თურქიაშვილი,

ასისტენტ-პროფესორი თეონა მატარაძე,

ასისტენტ-პროფესორი სალომე ნამიჭეიშვილი,

ასისტენტ-პროფესორი ზურაბ ტატანაშვილი.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	ლელა გაფრინდაშვილი	განმანათლებლობა, სოციალური მოძრაობა და ქართველი ქალები/ Enlightenment, Social Movement and Georgian Women	2015, თბილისი სახელმძღვანელო წარმოადგენს მნიშვნელოვანი ტექსტების კრებულს სხვადასხვა გამოცემებიდან და შექმნილია სპეციალურად გენდერის კვლევის მაგისტრანტებისათვის	120
ანოტაციები ქართულ ენაზე ეს არის საავტორო კურსი, რომელიც შედგება ქალი მწერლების და საზოგადო				

მოღვაწეების ბიოგრაფიების, მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო და სოციალურად, კულტურულად მნიშვნელოვანი ტექსტებისაგან. რიდერი ასევე შეიცავს ინფორმაციას ქართულ განმანათლებლობასთან დაკავშირებულ ევროპელ მოღვაწეებზე, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი საქართველოში განმანათლებლური იდეების და თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხების პოპულარიზაციაში.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
	1. ლელა გაფრინდაშვილი	მოხსენება „ პირადი და საჯარო სივრცე ქართველ მწერალ ქალთა შემოქმედებაში	1. 2015, 1 დეკემბერი , თსუ გენდერის კვლევის ინსტიტუტის კონფერენცია „ ქალთა ჩაგვრის მანიფესტაციები და საპასუხო წინააღმდეგობა“
	2. ლელა გაფრინდაშვილი	2. მოხსენება „მესამე სქესი“	2. 2015, 8 დეკემბერი , საჯარო ლექცია-დისკუსია: სექსუალობა და გენდერი - ტრანსგრესიის შესაძლებლობა, (WISG, HBS).
	3. ლელა გაფრინდაშვილი	3. მოხსენება „თამაში ეჭვის ყანაში“	3. 2015, 13 მაისი, სავლე წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტის ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია
	4. ლელა გაფრინდაშვილი	4. მოხსენება „ საბჭოთა ქალი“	4. პროექტი „ საბჭოთა წარსული თანამედროვე საქართველოში“, კავშირი „თანამშრომლობა მშვიდობისა და პროგრესისათვის“ და ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი /HBS, გორი

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1. მოხსენება წარმოადგენს 19-20-ე საუკუნის მწერალ ქალთა ნაწარმოებების ანალიზს, ეპოქის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული დისკურსის კონტექსტში.

2. მოხსენება ეხება საჯარო სივრცეში გამართულ დისკუსიებს ქალების თვითგამოხატვის და ემანსიპაციის საკითხებზე, ასევე ამ საკითხებისადმი საზოგადოებრივ რეზისტენციას და ეგრეთწოდებულ backlash-ს.

3. მოხსენება წარმოადგენს 20-ე საუკუნის 90-იან წლებში გამართულ დისკუსიებს ნაციონალიზმის და სტალინიზმის, ბოლშევიკური რეპრესიების შესახებ და

ინტელექტუალთა წვლილს ამ დისკუსიების თემატკის და mainstream-ის ფორმირებაში

4. მოხსენება წარმოადგენს ბოლშევიზმისა და საბჭოთა მედიის და „დედა ენის“ კრიტიკულ ანალიზს: ქალების ემანსიპაციის საკითხებისადმი მიძღვნილი პუბლიკაციები და საბჭოთა ბელადების , იდეოლოგების პრეზენტაცია და მათი გავლენა საგანმანათლებლო პროცესზე და თანასწორობასთან დაკავშირებულ დისკურსზე.

დანართი

ლია წულაძე

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: **სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტი**

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: იაგო კაჭკაჭიშვილი

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორი ამირან ბერძენიშვილი,

პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი,

ასოცირებული პროფესორი ნინო დურგლიშვილი,

ასოცირებული პროფესორი თამარ მახარაძე,

ასოცირებული პროფესორი ლია წულაძე,

ასოცირებული პროფესორი კახა ქეცბაია,

ასოცირებული პროფესორი ლელა გაფრინდაშვილი,

ასოცირებული პროფესორი მარინა ბურძენიძე,

ასოცირებული პროფესორი ნათელა დონაძე,

ასოცირებული პროფესორი თამარ საბედაშვილი,

ასისტენტ-პროფესორი შორენა თურქიაშვილი,

ასისტენტ-პროფესორი თეონა მატარაძე,

ასისტენტ-პროფესორი სალომე ნამიჭეიშვილი,

ასისტენტ-პროფესორი ზურაბ ტატანაშვილი.

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	განმარტებითი ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში: ფსიქოლოგია, გენდერი, გამოყენებითი სტატისტიკა, საჯარო პოლიტიკა და მართვა.	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი.	ლია წულაძე	ჯგუფი შედგება სოციალური მეცნიერებების 20-მდე სპეციალისტისგან.
დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

პროექტის დასრულების შემდეგ გამოქვეყნდება განმარტებითი ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში.

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	ლია წულაძე, ქრისტინე მარგველაშვილი, ირინე ოსეფაშვილი, ბენიამინ პოღოსიანი, არტურ ათანესიანი, მიქაელ ავეტისიანი.	"The Perceptions about Armenia's and Georgia's Policy Towards Each Other Among Two States' Youth: Myths and Reality".	ერევანი, სომხეთის პოლიტიკის მეცნიერების ასოციაცია.	63

ანოტაციები ქართულ ენაზე

კვლევა ეხება ქართველი და სომეხი სტუდენტების ავტო და ჰეტერო სტერეოტიპებს, აგრეთვე მათ წარმოდგენებს ორი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის შესახებ. რადგან კვლევამ გამოავლინა, რომ ქართველი და სომეხი ახალგაზრდების ინფორმირებულობის დონე მეზობელი ქვეყნის თანატოლების ცხოვრების წესისა და საგარეო პოლიტიკის მიმართ საკმაოდ დაბალია, შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები მათი ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	ლია წულაძე	ეორგიანს' ისცოურსეს ოფ ატიონალ Იდენტიტყ ინ ტჰე ჩონტეხტ ოფ უროპეანისატიონ, Ინტერნატიონალ შციენცე Ინდეხ.	17 (6)	კოპენჰაგენი, WASET.	1856-1861.

ანოტაციები ქართულ ენაზე

ნაშრომი განიხილავს ქართველების დისკურსებს ეროვნული იდენტობის შესახებ ევროპეიზაციის კონტექსტში, ამახვილებს რა ყურადღებას ასოცირების ხელშეკრულების ინიცირების და ხელმოწერის პერიოდებზე. სტატიაში ნაჩვენებია, თუ როგორაა გადაჯაჭვული ქართველების პროევროპული მისწრაფებები ევროპეიზაციის, როგორც ეროვნული იდენტობისადმი საფრთხის მატარებლის, აღქმასთან.

კიდევ ერთი სტატია სათაურით “On Europeanisation, National Sentiments and Confused Identities in Georgia” უნდა გამოქვეყნებულიყო ჟურნალში “Europe-Asia Studies”, მაგრამ რადგან ჟურნალი, გამოსაქვეყნებელ სიაში მყოფი სტატიების დიდი რაოდენობის გამო, 2017 წლის გაზაფხულზე გეგმავდა ჩემი სტატიის გამოქვეყნებას, სტატია გამოვითხოვე და გავგზავნე Elsevier-ის იმპაქტ-ფაქტორის ჟურნალში “Communist and Post-Communist Studies”. ამჟამად სტატია რეცენზირებას გადის.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ლია წულაძე	ქართველების დისკურსები ეროვნული იდენტობის შესახებ ევროპეიზაციის კონტექსტში.	მეცნიერებისა და ტექნოლოგიის მსოფლიო აკადემია (WASET). ივნისი 2015. კოპენჰაგენი, დანია.
2	ლია წულაძე	ქართული დილემა: სცენისა და კულისების დისკურსები ევროპეიზაციის შესახებ.	ევროაკადემია. აპრილი, 2015. კრაკოვი, პოლონეთი.

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1. მოხსენების თემაა ეროვნული სენტიმენტების გამოხატვა, როგორც პასუხი ევროპეიზაციის პროცესზე და ქართული ეროვნული იდენტობის ევროპულ პოსტნაციონალურთან ადაპტაციის მცდელობა. ამ პროცესში ქართველების წინაშე სამი მნიშვნელოვანი შეკითხვა წამოიჭრება: რამდენად ევროპელები ვართ? როდის და როგორ ვახდენთ ეროვნული და ევროპული იდენტობების დეკლარირებას? როდის მნიშვნელობს ქართულის და ევროპულის დიქოტომია და რა ფართო გეოპოლიტიკურ კონტექსტზე მიუთითებს ის?

2. მოხსენების თემაა ქართველების მიერ ევროპეიზაციის პერფორმანსი, რომელიც განსხვავებულია შიდა და გარე, ადგილობრივი და საერთაშორისო აუდიტორიისთვის. თუ ,,სცენაზე” ქართველები არ იშურებენ პროევროპული მისწრაფებების გამოხატვას, ,,კულისებში” ხშირად გამოთქვამენ წუხილს ევროპეიზაციის პროცესში ეროვნული იდენტობისა და სუვერენიტეტის წინაშე არსებულ საფრთხეებთან დაკავშირებით.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

	მითითებით			
1.	2015-2016. ,,სამოქალაქო ჩართულობა საქართველოში - ონლაინ და ოფლაინ პრაქტიკები".	საერთაშორისო ურთიერთობების ნორვეგიული ინსტიტუტი (NUPI), ოსლო.	ლია წულაძე	ნანა მაჭარაშვილი, ქეთევან ფაჩულია.
2.	2014-2016. ,,ევროპეიზაციის პერფორმანსი – პოლიტიკური და პოპულარული დისკურსები ევროპეიზაციის შესახებ საქართველოში."	კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელი (ASCN).	ლია წულაძე	ფლორა ესებუა, ირაკლი კახიძე, ანა კვინტრაძე, მარიამ ამაშუკელი, ირინა ოსეფაშვილი.
3.	2015. ,,სომეხი და ქართველი ახალგაზრდების პოლიტიკური სტერეოტიპები ერთმანეთის მიმართ: მითები და რეალობა."	ფრიდრიჰ ებერტის ფონდი (FES).	ლია წულაძე, ქართული მხარის ხელმძღვანელი.	სომხეთის პოლიტიკის მეცნიერების ასოციაციისა და სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ერთობლივი პროექტი.
4.	2014-2015. ,,უმაღლესი განათლების პროგრამების ეფექტურობის განსაზღვრა კარიერული განვითარებისთვის: სოციალურ მეცნიერებებში აკადემიური პროგრამებისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს შორის შესაბამისობის კვლევა.	ფონდი ,,ღია საზოგადოება - საქართველო."	ლია წულაძე	დიანა ლეჟავა, მარიამ ამაშუკელი.

1. ამჟამად გამოსაქვეყნებლად მზადდება სტატია სათაურით "SOS Tbilisi: Does Environmental Civic Participation Enable Deliberative Democracy in Georgia?" ვგეგმავთ, გავგზავნოთ SAGE-ის იმპაქტ-ფაქტორის ჟურნალში "Problems of Post-Communism".
2. კვლევის შედეგად გამოიცემა ორენოვანი წიგნი (ქართულ და ინგლისურ ენაზე), რომლის პირველი ნაწილი (პოლიტიკოსებთან და ექსპერტებთან ჩატარებული კვლევის შედეგები) უკვე დასრულებულია.
3. პროექტი დასრულდა 2015 წლის ივლისში და გამოიცა პუბლიკაცია ინგლისურ ენაზე "The Perceptions about Armenia's and Georgia's Policy Towards Each Other Among Two States' Youth: Myths and Reality".
4. პროექტი დასრულდა 2015 წლის ნოემბერში და გამოქვეყნდა პუბლიკაცია, რომლის სამეცნიერო რედაქტორი ვარ.

2015-16 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრიდან, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ამოქმედდა ლია წულაძის ხელმძღვანელობით შექმნილი ახალი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები -,,კულტურის და მედიის სოციოლოგია", რომელზეც ამჟამად 10 მაგისტრანტი და 2 დოქტორანტი სწავლობს.

დანართი

მაია ტორაძე

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: **ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტი**

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ნინო ჭალაგანიძე

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორი მარიამ გერსამია,

პროფესორი დალი ოსეფაშვილი,

ასოცირებული პროფესორი მარი წერეთელი,

ასოცირებული პროფესორი მანანა შამილიშვილი,

ასოცირებული პროფესორი ირა ბიჭიკაშვილი,

ასოცირებული პროფესორი რუსუდან ვაშაკიძე,

ასოცირებული პროფესორი ნათია კუპრაშვილი,

ასოცირებული პროფესორი ნანული ტალახაძე,

ასოცირებული პროფესორი მაია ტორაძე,

ასოცირებული პროფესორი თამაზ ჯოლოგუა,

ასისტენტ-პროფესორი თამარ ბელქანია,

ასისტენტ-პროფესორი ხათუნა კაჭარავა,

ასისტენტ-პროფესორი მარინე ლომიძე,

ასისტენტ-პროფესორი მაგდა მემანიშვილი,

ასისტენტ-პროფესორი თეა მჟავანაძე,

ასისტენტ-პროფესორი ნინო ჭალაგანიძე

ასისტენტ-პროფესორი ხათუნა მაისაშვილი.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	ნინო კაკულია (რედაქტორი) მაია ტორაძე (სარედაქციო ჯგუფის წევრი)	„ივანე ჯავახიშვილი - კაცი რომელმაც საქართველოს გონი შეცვალა“ (პუბლიცისტური ნარკვევები)	2015 წელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	166 გვერდი

2.	მაია ტორაძე (შემდგენელი)	პეტრე მელიქიშვილი - უნივერსიტეტის პირველი რექტორი) (პუბლიცისტური ნარკვევები)	2015 წელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	62 გვერდი

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. პუბლიცისტურ ნარკვევებში – „ივანე ჯავახიშვილი – კაცი რომელმაც საქართველოს გონი შეცვალა“, არის პირველი წიგნი სერიიდან "პუბლიცისტური ნარკვევები", რომელიც ეძღვნება თბილისის სახელმეიფო უნივერსიტეტის დამფუძნებლებს.

ივანე ჯავახიშვლისადმი მიღვნილ კრებულში შესულია მასალები, რომელშიც გაშუქებული და გაანალიზებულია უნივერსიტეტის დამაარსებლის, უდიდესი ქართველი მეცნიერის მრავალმხრივი მოღვაწეობის ასპექტები, თავმოყრილია პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი მიძღვნილი პუბლიკაციები, რომლებიც სხვადასხვა დროს დაიბეჭდა გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“.

2. პუბლიცისტური ნარკვევების მეორე წიგნი „პეტრე მელიქიშვილი – უნივერსიტეტის პირველი რექტორი“ - ეძღვნება მსოფლიოში ცნობილი მეცნიერ-ქიმიკოსისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორის - პეტრე მელიქიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.	**მაია ტორაძე**	სასამართლო პროცესების ანარეკლი ქართულ ბეჭდურ მედიაში *გიგი უგულავას სასამართლო პროცესების გაშუქების მაგალითზე გაზეთების - „რეზონანსის“ და „ალიას“ 2015 წლის სექტემბრის გამოცემების მიხედვით*	I. International South Caucasus Lecturer Conference on Media Law "Media, Law and Ethics – the Regional Perspective" Tbilisi, 27 October 2015, Tbilisi State University (TSU), 1 Building, Room 115

ანოტაცია

სასამართლო პროცესის გაშუქება მედიისაგან მოითხოვს სიზუსტეს, ობიექტურობასა და სასამართლო გადაწყვეტილების მასობრივი აუდიტორიისთვის გასაგები ენით მიწოდებას.

კვლევის მიზანი იყო, გაგვერკვია, დგას თუ არა პრობლემა სასამართლო პროცესის გაშუქებისას ქართულ ბეჭდურ მედიაში, რისთვისაც დავინტერესდით: რა სიხშირით აშუქებდა ბოლო დროის ყველაზე გახმაურებულ სასამართლო პროცესს ქართული ბეჭდური მედია, რა ჟურნალისტური ხერხები და მეთოდებია გამოყენებული გაშუქებისას, რამდენად ობიექტურია ჟურნალისტი და დგას თუ არა სასამართლო გადაწყვეტილების აუდიტორიამდე გასაგები ენით მიტანის პრობლემა.

აღნიშნულ საკვლევ კითხვებზე პასუხის მისაღებად ავიღეთ საქართველოში ერთერთი ყველაზე გახმაურებული საქმე, კერძოდ, თბილისის ყოფილი მერის, გიგი უგულავას სასამართლო პროცესი, რომლის

გაშუქებასაც დავაკვირდით გაზეთებში „რეზონანსი“ და „ალია“. დაკვირვების ხანგრძლივობა კი ამ საქმის ყველაზე ცხელი პერიოდი - 2015 წლის სექტემბერია. კვლევაში გამოყენებულია კონტენტანალიზის მეთოდი.

შესწავლილი მასალების მიხედვით წარმოიშვა რამდენიმე ჰიპოთეზა. კერძოდ, მედიაგამოცემები ამჯობინებენ სასამართლო პროცესების შესახებ ინფორმაცია მკითხველს „ახალი ამბების“ (ე.წ. News -ის) სახით მიაწოდონ; ჟურნალისტები არ ფლობენ სათანადოდ იურიდიულ ტერმინოლოგიას, რაც იწვევს აუდიტორიისთვის მედიატექსტის გასაგები ენით მიწოდების პრობლემას; მედიატექსტებსა და მათ სტრუქტურაში შეფარვით ჩანს ჟურნალისტის მიკერძოებულობა; მედიაგამოცემები მიდრეკილნი არიან სასამართლო პროცესების გაშუქებისას აქცენტი გააკეთონ ემოციურ ფონზე, რაც ძალიან ჰგავს ე.წ. მოსაზრების ჟურნალისტიკას, რომელიც, თავის მხრივ, განვითარებადი დემოკრატიის ქვეყნების მედიისთვისაა დამახასიათებელი.

დანართი

მალხაზ მაცაბერიძე

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: **პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტი**

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: მალხაზ მაცაბერიძე

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე,

პროფესორი ალექსანდრე კუხიანიძე,

პროფესორი კორნელი კაკაჩია,

ასოცირებული პროფესორი ნანა მაჭარაშვილი,

ასოცირებული პროფესორი სალომე დუნდუა,

ასოცირებული პროფესორი გია ჟორჟოლიანი,

ასისტენტ-პროფესორი ზვიად აბაშიძე,

ასისტენტ-პროფესორი ვალერიან დოლიძე,

ასისტენტ-პროფესორი ავთანდილ ტუკვაძე,

ასისტენტ-პროფესორი ალექსანდრე წურწუმია.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	მალხაზ მაცაბერიძე	**საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავება და ეროვნულ უმცირესობათა უფლებები**	**თბილისი, „ახალი აზრი“, 2015**	**102 გვ.**
	მალხაზ მაცაბერიძე	**საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის წინ: შალვა ნუცუბიძე სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ**	**თბილისი- 2015**	**88 გვ.**

ანოტაციები ქართულ ენაზე

მალხაზ მაცაბერიძე. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავება და ეროვნულ უმცირესობათა უფლებები. თბილისი, „ახალი აზრი“, 2015, - 102 გვ.

ნაშრომში განხილულია ეროვნულ უმცირესობათა უფლებების განსაზღვრა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში. ნაჩვენებია, თუ რა დიდი ყურადღება დაუთმო დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიამ ეროვნულ უმცირესობათა უფლებების კონსტიტუციური გარანტიების ჩამოყალიბებას. განხილულია ეროვნულ უმცირესობათა მიერ საკონსტიტუციო კომისიაში წარდგენილი პროექტები.

მალხაზ მაცაბერიძე. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის წინ: შალვა ნუცუბიძე სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ. თბილისი- 2015, -88 გვ

ნაშრომში განხილულია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინა პერიოდში, 1918 წლის მარტში, გამართული დისკუსია სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, ცნობილ ფილოსოფოს შალვა ნუცუბიძესა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის მთავარ ორგანოს „ერთობას“ შორის. ეს დისკუსია განხილულია ფართო კონტექსტში, იმ იდეოლოგიური დაპირისპირების ფონზე, რაც ეროვნულ ძალებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის მიმდინარეობდა.

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	მალხაზ მაცაბერიძე	**პოლიტიკური ელიტის კლასიკური თეორიები: გაეტანო მოსკა, ვილფრედო პარეტო, რობერტ მიხელსი**	**თბილისი, „ახალი აზრი“, 2015**	**120 გვ.**
	მალხაზ მაცაბერიძე	**|:-|:: საუკუნეების ქართული პოლიტიკური აზრი. მასალები ლექციებისათვის**	**თბილისი, „ახალი აზრი“, 2015**	**60 გვ.**

ანოტაციები ქართულ ენაზე

მალხაზ მაცაბერიძე. პოლიტიკური ელიტის კლასიკური თეორიები: გაეტანო მოსკა, ვილფრედო პარეტო, რობერტ მიხელსი. თბილისი, „ახალი აზრი“, 2015 -120 გვ.

ნაშრომი წარმოადგენს სალექციო კურსს, რომელშიც განხილულია გაეტანო მოსკას, ვილფრედო პარეტოს და რობერტ მიხელსის თეორიების ძირითადი დებულებები. ასევე წარმოდგენილია ფრაგმენტები დასახელებულ ავტორთა ნაშრომებიდან, რაც წარმოდგენას გვიქმნის მათი აზროვნების სტილზე. ნაშრომი განკუთვნილია პოლიტიკური მეცნიერების ისტორიით დაინტერესებული მკითხველისათვის.

მალხაზ მაცაბერიძე. \|:-\|:: საუკუნეების ქართული პოლიტიკური აზრი. მასალები ლექციებისათვის. თბილისი, „ახალი აზრი“, 2015 – 60 გვ.

ნაშრომი წარმოადგენს სალექციო მასალას კურსისათვის „ქართული პოლიტიკური აზრი“. მასში განხილულია \|:-\|:: საუკუნეების ქართული პოლიტიკური აზროვნებისთვის დამახასიათებელი ნიშნები და ძირითადი პრობლემატიკა, მისი კავშირი მომდევნო პერიოდის პოლიტიკურ აზრთან

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	მალხაზ მაცაბერიძე რედაქტორი	**ვიქტორ ნოზაძე. კავკასიის გეოპოლიტიკისათვის (ბრძოლა ნავთის გამო)**	**თბილისი, "ახალი აზრი", 2015**	**32 გვ.**
	მალხაზ მაცაბერიძე რედაქტორი	**ზურაბ ავალიშვილი. დიდი სივრცეების პოლიტიკა**	**თბილისი, "ახალი აზრი", 2015**	**16 გვ.**
	მალხაზ მაცაბერიძე რედაქტორი	**ერიხ ობსტი. საქართველო: გეოპოლიტიკური ნარკვევი**	**თბილისი, "ახალი აზრი", 2015**	**27 გვ.**

ანოტაციები ქართულ ენაზე

ვიქტორ ნოზაძე. კავკასიის გეოპოლიტიკისათვის (ბრძოლა ნავთის გამო). რედაქტორი მალხაზ მაცაბერიძე. თბილისი, "ახალი აზრი", 2015 – 32 გვ.

ცნობილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ვიქტორ ნოზაძე (1893-1975) 1930 წელს ჟურნალ "დამოუკიდებელ საქართველოში" გამოქვეყნებულ ნაშრომში "კავკასიის გეოპოლიტიკისათვის" ცდილობს საქართველოს და კავკასიის პრობლემები გაიაზროს იმ დროისათვის ახალი დისციპლინის - გეოპოლიტიკის ცნებებისა და კატეგორიების გამოყენებით. ვიქტორ ნოზაძე აყალიბებს საქართველოს და კავკასიის გეოპოლიტიკის ამოსავალ პრინციპებს და მის ნაშრომს ღირსეული ადგილი შეიძლება მივაკუთვნოთ ქართული გეოპოლიტიკური აზრის ისტორიაში.

რედაქტორის შესავალი გვ-3-8

ზურაბ ავალიშვილი. დიდი სივრცეების პოლიტიკა. რედ. მალხაზ მაცაბერიძე. თბილისი, „ახალი აზრი", 2015, - 16 გვ.

ცნობილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ზურაბ ავალიშვილი (1874-1944) 1943 წელს „ქართველ ერში" გამოქვეყნებულ სტატიაში „დიდი სივრცეების პოლიტიკა" განიხილავს გერმანული გეოპოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად ცნებას „დიდ სივრცეს" მსოფლიო ომის კონტექსტში და ცდილობს განსაზღვროს რამდენად შეუწყობდა ხელს გერმანიის ბლოკის ან მის მოწინააღმდეგეთა გამარჯვება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეს.

რედაქტორის შესავალი გვ.3-9

ერიხ ობსტი. საქართველო: გეოპოლიტიკური ნარკვევი. რედ. მალხაზ მაცაბერიძე. თბილისი, „ახალი აზრი", 2015, - 27 გვ.

ცნობილი გერმანელი გეოპოლიტიკოსის ერიხ ოსტის სტატია 1924 წელს გამოქვეყნდა „გეოპოლიტიკურ ჟურნალში", 1964 წელს კი მისი ქართული თარგმანი დაიბეჭდა ემიგრანტულ ჟურნალ „კავკასიონში". სტატიაში ობსტი განიხილავს 1924 წლის აჯანყების გამომწვევ მიზეზებს და ამასთან დაკავშირებით მიზნად ისახავს გამოიკვლიოს „ამ საოცარი ქვეყნის გეოპოლიტიკური აღნაგობა".

რედაქტორის შესავალი გვ.3-10.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	Малхаз Мацаберидзе	Грузинская Демократическая Республика (1918-1921): Поиск нейтралитета	Кавказ и мир 2015 წლის ნოემბერი-დეკემბერი		6 გვ.

ანოტაციები ქართულ ენაზე

სტატიები

Малхаз Мацаберидзе. Грузинская Демократическая Республика (1918-1921): Поиск нейтралитета - ჟურნალი Кавказ и мир 2015 წლის ნოემბერი-დეკემბერი - იბეჭდება

სტატიაში განხილულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ 1918 წლის 26 მაისს ნეიტრალიტეტის გამოცხადების მიზეზები, ნაჩვენებია, ის დისკუსია, რაც ქართულ პოლიტიკურ ძალებს შორის მიმდინარეობდა ნეიტრალიტეტთან დაკავშირებით, ასევე ნეიტრალიტეტის პრინციპის გამოყენება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკაში. აღნიშნულია, რომ ნეიტრალიტეტის ძიებამ ვერ უზრუნველყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უსაფრთხოება.

II. 2. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	Malkhaz Matsaberidze	**Victor Nozadze on Geopolitics of the Caucasus**	იბეჭდება	**International Relations and Diplomacy (USA)**	9 გვ.

ანოტაციები ქართულ ენაზე

Malkhaz Matsaberidze. Victor Nozadze on Geopolitics of the Caucasus - International Relations and Diplomacy -იბეჭდება

ვიქტორ ნოზაძე ქართველ პოლიტიკური მოაზროვნეებიდან ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც 1920-იანი წლების ბოლოს, იმ დროისათვის ახალი დისციპლინის გეოპოლიტიკის ცნებებისა და კატეგორიების გამოყენებით სცადა გაეაზრებინა საქართველოსა და კავკასიაში განვითარებული მოვლენები 1918-1921 წლებში და მომდევნო პერიოდში. მისი 1930 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი „კავკასიის

გეოპოლიტიკისათვის“ ყველაზე მკაფიოდ გამოხატავს მის გეოპოლიტიკურ კონცეფციას. ვიქტორ ნოზაძე გეოპოლიტიკის მოშველიებით განმარტავს, თუ რატომ დაკარგეს დამოუკიდებლობა კავკასიის სახელმწიფოებმა და ასაბუთებს კავკასიის ერთიანობის აუცილებლობას.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
	მალხაზ მაცაბერიძე	საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა: ნეიტრალიტეტის ძიება	გაეროს მიერ თურქმენეთის ნეიტრალიტეტის აღიარების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 27 აპრილი 12015 წელი
	მალხაზ მაცაბერიძე	ქართული დიასპორა ევროპაში: საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ძიებაში	პირველი დიასპორული ფორუმი „გაუზიარე გამოცდილება სამშობლოს“, თბილისი, 27 მაისი, 2015 წელი
	მალხაზ მაცაბერიძე	ეროვნულ უმცირესობათა უფლებების განსაზღვრა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში	კონფერენცია „ადამიანის უფლებები და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 29 მაისი, 2015 წელი
	მალხაზ მაცაბერიძე	საქართველო და გეოპოლიტიკური სიტუაცია კავკასიაში ბრესტის ზავის (1918 წ.) შემდეგ	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გეოპოლიტიკური ტრანსფორმაცია კავკასიაში 1917-1921 წლები“, ბათუმი, 6 ივნისი, 2015 წელი

	მალხაზ მაცაბერიძე	ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და საქართველოს კონსტიტუციური განვითარება	-საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მოქალაქე და სამოქალაქო განათლება პოსტ-სოციალისტურ საზოგადოებებში“. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 6-7 ივნისი, 2015 წელი
	მალხაზ მაცაბერიძე	კავკასია გეოპოლიტიკის კონტექსტში (ვიქტორ ნოზაძის კონცეფცია)	მე-3 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა - სოციალური და სივრცითი მობილობა“. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 25-27 ივნისი, 2015 წელი
	მალხაზ მაცაბერიძე	ზურაბ ავალიშვილი „დიდი სივრცეების“ შესახებ	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქართული ემიგრაცია 21-ე საუკუნის გადასახედიდან“, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 15 ნოემბერი 2015 წელი

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

მალხაზ მაცაბერიძე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა: ნეიტრალიტეტის ძიება - გაეროს მიერ თურქმენეთის ნეიტრალიტეტის აღიარების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 27 აპრილი 12015 წელი

მოხსენებაში განხილულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ 1918 წლის 26 მაისს ნეიტრალიტეტის გამოცხადების მიზეზები, ნაჩვენებია, ის დისკუსია, რაც ქართულ პოლიტიკურ ძალებს შორის მიმდინარეობდა ნეიტრალიტეტთან დაკავშირებით, ასევე ნეიტრალიტეტის პრინციპის გამოყენება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკაში. აღნიშნულია, რომ ნეიტრალიტეტის ძიებამ ვერ უზრუნველყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უსაფრთხოება.

მალხაზ მაცაბერიძე. ქართული დიასპორა ევროპაში: საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ძიებაში - პირველი დიასპორული ფორუმი „გაუზიარე გამოცდილება სამშობლოს“, თბილისი, 27 მაისი, 2015 წელი

მოხსენებაში განხილულია 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის შემდეგ დასავლეთში წასული ქართული ემიგრაციის მრავალმხრივი ძალისხმევა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად: მოკავშირის ძიება, საკუთარი ძალებით განთავისუფლების მცდელობა, რაც 1924 წლის აჯანყებაში გამოიხატა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქართული პოლიტიკური ემიგრაცია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კომუნისტური ბლოკის, საბჭოთა კავშირის შინაგანი რღვევა იყო საქართველოს განთავისუფლების ერთადერთი გზა.

მალხაზ მაცაბერიძე. ეროვნულ უმცირესობათა უფლებების განსაზღვრა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში - კონფერენცია „ადამიანის უფლებები და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“, ივანე ჯავახიშვილისის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 29 მაისი, 2015 წელი

მოხსენებაში განხილულია ეროვნულ უმცირესობათა უფლებების განსაზღვრა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში. ნაჩვენებია, თუ რა დიდი ყურადღება დაუთმო დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიამ ეროვნულ უმცირესობათა უფლებების კონსტიტუციური გარანტიების ჩამოყალიბებას. განხილულია ეროვნულ უმცირესობათა მიერ საკონსტიტუციო კომისიაში წარდგენილი პროექტები.

მალხაზ მაცაბერიძე. საქართველო და გეოპოლიტიკური სიტუაცია კავკასიაში ბრესტის ზავის (1918 წ.) შემდეგ - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გეოპოლიტიკური ტრანსფორმაცია კავკასიაში 1917-1921 წლები“, ბათუმი, 6 ივნისი, 2015 წელი

მოხსენებაში განხილულია სამხრეთ კავკასიაში შექმნილი ვითარება ბრესტის ზავის კონტექსტში. ბრესტის ზავმა უზრუნველყო საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო პირობები. საქართველო ფაქტობრივად გადაიქცა გერმანული „შუა ევროპის“ ნაწილად. პირველ მსოფლიო ომში გერმანიისა და მისი მოკავშირეების დამარცხების შედეგად შეიქმნა დამთავრდა „ბრესტის ზავის“ ხანა და საქართველოსა და მთლიანად კავკასიისთვის ახალი გეოპოლიტიკური რეალობა შეიქმნა.

მალხაზ მაცაბერიძე. ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და საქართველოს კონსტიტუციური განვითარება -საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მოქალაქე და სამოქალაქო განათლება პოსტ-სოციალისტურ საზოგადოებებში“. ივანე ჯავახიშვილისის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 6-7 ივნისი, 2015 წელი

მოხსენებაში განხილულია ხელისუფლების დანაწილების საკითხი პოსტსაბჭოთა საქართველოში. საბჭოთა პერიოდში ხელისუფლების დანაწილების პრინციპი ბურჟუაზიული კონსტიტუციონალიზმის გამოვლინებად მიიჩნეოდა და უარყოფილი იყო. საქართველოს კონსტიტუციური განვითარება პოსტსაბჭოთა პერიოდში გულისხმობდა ხელისუფლების დანაწილების პრინციპის რეალიზებასაც. თუმცა ამ მიმართულებით სერიოზული პრობლემები კვლავ რჩება, რაც გამოიხატება ხელისუფლების შტოების დაუბალანსებლობაში

მალხაზ მაცაბერიძე. კავკასია გეოპოლიტიკის კონტექსტში (ვიქტორ ნოზაძის კონცეფცია) - მე-3 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა - სოციალური და სივრცითი მობილობა“. ივანე ჯავახიშვილისის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 25-27 ივნისი, 2015 წელი

ვიქტორ ნოზაძე ქართველ პოლიტიკური მოაზროვნეებიდან ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც 1920-იანი წლების ბოლოს, იმ დროისათვის ახალი დისციპლინის გეოპოლიტიკის ცნებებისა და კატეგორიების გამოყენებით სცადა გაეაზრებინა საქართველოსა და კავკასიაში განვითარებული მოვლენები 1918-1921 წლებში და მომდევნო პერიოდში. მისი 1930 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი „კავკასიის გეოპოლიტიკისათვის“ ყველაზე მკაფიოდ გამოხატავს მის გეოპოლიტიკურ კონცეფციას. ვიქტორ ნოზაძე გეოპოლიტიკის მოშველიებით განმარტავს, თუ რატომ დაკარგეს დამოუკიდებლობა კავკასიის სახელმწიფოებმა და ასაბუთებს კავკასიის ერთიანობის აუცილებლობას.

მალხაზ მაცაბერიძე. ზურაბ ავალიშვილი „დიდი სივრცეების“ შესახებ - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქართული ემიგრაცია 21-ე საუკუნის გადასახედიდან“, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 15 ნოემბერი 2015 წელი

ცნობილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ზურაბ ავალიშვილი (1874-1944) 1943 წელს „ქართველ ერში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „დიდი სივრცეების პოლიტიკა“ განიხილავს გერმანული გეოპოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად ცნებას „დიდ სივრცეს“ მსოფლიო ომის კონტექსტში და ცდილობს განსაზღვროს რამდენად შეუწყობდა ხელს გერმანიის ბლოკის ან მის მოწინააღმდეგეთა გამარჯვება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეს.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
	მალხაზ მაცაბერიძე	**საქართველოს საბჭოთა ოკუპაცია და ბრძოლა ისტორიული მეხსიერებისათვის**	**საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „იდენტობა და კულტურა“, სკოპიე (მაკედონიის რესპუბლიკა) 2015 წლის 3-5 სექტემბერი**

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

მალხაზ მაცაბერიძე. საქართველოს საბჭოთა ოკუპაცია და ბრძოლა ისტორიული მეხსიერებისათვის - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „იდენტობა და კულტურა“, სკოპიე (მაკედონიის რესპუბლიკა) 2015 წლის 3-5 სექტემბერი

მოხსენებაში განხილულია საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისის ჩანაცვლება 25 თებერვლით - თბილისში წითელი არმიის შესვლის დღით, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ თავის მთავარ საზეიმო თარიღად აქცია. 1921 წლის 26 მაისი საბჭოთა ოკუპაციის პირობებში აღნიშნეს, ოღონდ მისთვის „საბჭოთა შინაარსის“ მიცემას შეეცადნენ, 1922 წლის 25 თებერვალს მოწვეული იქნ საბჭოების ყრილობა და ეს დღე საზეიმო დღედ გამოცხადდა. იმავე წელსვე აიკრძალა 26 მაისის აღნიშვნა.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
	თურქეთის ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის იდენტობა და მათი ეკონომიკურ-კულტურული ინტერესები საქართველოსთან მიმართებით (ქალაქ კურგანის და მისი შემოგარენის ქართული დიასპორის მაგალითზე)	მალხაზ მაცაბერიძე	თინა ცხოვრებაძე ლადო ნაფეტვარიძე თამარ ორჯონიკიძე	თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევითი პროექტი
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

დანართი

მანანა შამილიშვილი

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: **ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტი**

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ნინო ჭალაგანიძე

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორი მარიამ გერსამია,

პროფესორი დალი ოსეფაშვილი,

ასოცირებული პროფესორი მარი წერეთელი,

ასოცირებული პროფესორი მანანა შამილიშვილი,

ასოცირებული პროფესორი ირა ბიჭიკაშვილი,

ასოცირებული პროფესორი რუსუდან ვაშაკიძე,

ასოცირებული პროფესორი ნათია კუპრაშვილი,

ასოცირებული პროფესორი ნანული ტალახაძე,

ასოცირებული პროფესორი მაია ტორაძე,

ასოცირებული პროფესორი თამაზ ჯოლოგუა,

ასისტენტ-პროფესორი თამარ ბელქანია,

ასისტენტ-პროფესორი ხათუნა კაჭარავა,

ასისტენტ-პროფესორი მარინე ლომიძე,

ასისტენტ-პროფესორი მაგდა მემანიშვილი,

ასისტენტ-პროფესორი თეა მჟავანაძე,

ასისტენტ-პროფესორი ნინო ჭალაგანიძე

ასისტენტ-პროფესორი ხათუნა მაისაშვილი.

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა გასაბჭოებიდან მეორე მსოფლიო ომამდე (1921 -1941)	რუსთაველის ფონდი პროექტის შიფრი: FR/411/1-20/12	ფილოლოგიის აკად. დოქტორი, ასოც. პროფესორი მაკა ელბაქიძე	მანანა შამილიშვილი ადა ნემსაძე, მაკა ჯოხაძე, ზოია ცხადაია, ნონა კუპრეიშვილი, მანანა კვატაია

	ჰუმანიტარული მეცნიერება. ქართველოლოგია. ქართული ლიტერატურა			

დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

წარმოდგენილი პროექტი მიზნად ისახავს ახალი და უფრო სრულყოფილი ცოდნის შექმნას ქართული ლიტერატურის ისტორიის ერთი კონკრეტული პერიოდის (1921 - 1941 წწ) ფუნდამენტურ ასპექტებსა და რეალურ ფაქტებზე. იგი უნიკალურია იმდენად, რამდენადაც პირველად ხორციელდება ქართული ლიტერატურის ისტორიის ყველაზე წინააღმდეგობრივი პერიოდის კვლევა საარქივო მასალაზე დაყრდნობით. პროექტი სამწლიანია (2013 – 2016 წ.წ.). ამ ეტაპზე მთლიანად დასრულებულია საძიებო სამუშაო. ჩვენ მიერ მოძიებულია საკვლევი თემატიკისთვის საჭირო 1921 - 1941 წლების საარქივო მასალა, შექმნილია ელექტრონული ბლოგი (მის.: bolshevizmi.blogspot.com). ამჟამად მიმდინარეობს დასკვნითი ეტაპის სამუშაო – მოპოვებული მასალის მიხედვით იგეგმება კონფერენციის ჩატარება და გამოსაცემად მზადდება წიგნი. პროექტი ხორციელდება საქართველოს შსს-ს მხარდაჭერით..

I. 4.

	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1.	**„1918-1921 წლების ქართული პლურალისტური მედიის ძირითადი სტრატეგიები" -** 07 სოციალური მეცნიერებები; 07/03 მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ მიზნობრივი სამეცნიერო - კვლევითი პროექტი)	**მანანა შამილიშვილი** თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი	**მარი წერეთელი-** ასოცირებული პროფესორი **ნანული ტალახაძე** ასოცირებული პროფესორი **თინათინ მაჭარაშვილი-** დოქტურანტურის სტუდენტი **ანა კაკურია** - მაგისტრატურის სტუდენტი **ბადრი კობიაშვილი** - ბაკალავრიატის სტუდენტი

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

პროექტის ფარგლებში ჩატარებული სამეცნიერო კვლევა განეკუთვნება სოციალური მეცნიერებების მიმართულებას, კერძოდ - ჟურნალისტიკის ისტორიას და ასახავს საქართველოს სუვერენიტეტის წლების (1918 - 1921) ქართული

ჟურნალისტიკის ძირითად მსოფლაღქმით და შემოქმედებით სტრატეგიებს. აღნიშნული თემატიკა დღემდე არ გამხდარა საგანგებო კვლევის საგანი და, ამდენად, მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს. პროექტში ყურადღება გამახვილებულია საქართველოს რესპუბლიკის არსებობის დროინდელ პრობლემატიკაზე, რომელიც იდეურ ჭიდილში ვლინდება და პარტიული პრესის პრიმატით აღინიშნება. ამ პროცესის უმთავრესი ნიშანია ეროვნულ-დემოკრატიული და სოციალისტური იდეოლოგიების გამტარებელ პარტიულ დაჯგუფებებს შორის მსოფლმხედველობრივი დაპირისპირება, რაც პრესის ფურცლებზე თვალნათლივ გამოვლინდა. ყველაზე სიპტომურად საქართველოს პირველი რესპუბლიკის სისხლსავსე ცხოვრების დოკუმენტურ სურათს წარმოსახავდა საკვლევად ჩვენ მიერ შერჩეული გამოცემები (ეროვნულ-დემოკრატების მთავარი კომიტეტის ორგანო, გაზეთი „საქართველო", სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანო „ერთობა", სოციალ-ფედერალისტების სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტის გამოცემა „სახალხო საქმე" და სამთავრობო ორგანო „საქართველოს რესპუბლიკა").

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდის მედიაკლიმატი უპრეცედენტოდ პლურალისტური იყო, ხოლო მედიის თავისუფლება - შეუზღუდავი. ასევე, მკაფიოდ წარმოჩნდა პუბლიცისტური დისკურსის თავისებურებები, პუბლიცისტური ტექსტების კონცეპტუალური მახასიათებლები და მოცემული პერიოდის მედიაგარემოს შემოქმედებითი სტრატეგიები. მოძიებული მასალის სისტემატიზებისა და ცალკეული გამოცემების პუბლიკაციათა შესწავლა-კლასიფიკაციის გზით გამოიკვეთა ის ევოლუცია, რაც მედიატექსტმა განვითარების ხანგრძლივ და წინააღმდეგობრივ გზაზე განიცადა და საკვლევი პერიოდისათვის განსხვავებული, თვითმყოფადი სახით ჩამოყალიბდა.

	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2.	**XX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული სალიტერატურო პროცესი (2014-2018 წ.წ.)** ჰუმანიტარული მეცნიერება. ქართველოლოგია. ქართული ლიტერატურა	თსუ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი	**მანანა კვაჭანტირაძე** პროფესორი, თსუ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის განყოფილების ხელმძღვანელი,	თსუ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომლები: **მანანა შამილიშვილი ინგა მილორავა მაია ჯალიაშვილი ლალი ავალიანი ემზარ კვიტაიშვილი ნონა კუპრეიშვილი ზოია ცხადაია მაკა ჯოხაძე მანანა კვატაია**

				ადა ნემსაძე **მირანდა ტყეშელაშვილი**

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

პროექტი ხუთწლიანია (2014-2018 წლები). 2015 წელს გაგრძელდა მუშაობა და შეიქმნა ახალი სამეცნიერო კვლევები გეგმით გათვალისწინებულ მწერალთა (პოეტების, პროზაიკოსებისა და კრიტიკოსების) შესახებ. მუშაობის პროცესში გამოვიყენეთ ახალი სამეცნიერო კვლევები, უკანასკნელ პერიოდებში დაზუსტებული და აღმოჩენილი ბიოგრაფიული ფაქტები, კულტურულ ცხოვრებაში მომხდარი დღემდე უცნობი თუ ნაკლებადცნობილი მოვლენები. შედეგად მივიღეთ განახლებული და ზოგჯერ პრინციპულად ახალი შემოქმედებითი პორტრეტები შემდეგი მწერლებისა:

სანდრო ცირეკიძე – შემსრულებელი მაკა ჯოხაძე;
გალაკტიონ ტაბიძე – შემსრულებელი მაია ჯალიაშვილი;
ვალერიან გაფრინდაშვილი – შემსრულებელი ინგა მილორავა;
კიტა აბაშიძე – შემსრულებელი მანანა კვატაია;
გიორგი ლეონიძე (მხატვრული შემოქმედება) – შემსრულებელი ემზარ კვიტაიშვილი;
ვახტანგ კოტეტიშვილი – შემსრულებელი ნონა კუპრეიშვილი;
შალვა დადიანი – შემსრულებელი ადა ნემსაძე;
ტიციან ტაბიძე – შემსრულებელი ზოია ცხადაია;
დემნა შენგელაია – შემსრულებელი მირანდა ტყეშელაშვილი;
დემოკრატიული მწერლობა, ლიტერატურული დაჯგუფებები – შემსრულებელი ლალი ავალიანი;
20-იანი წლების პუბლიცისტიკის ზოგადი ტენდენციები – შემსრულებელი მანანა შამილიშვილი.

მომზადებულია 10-20-იანი წლების ლიტერატურულ დაჯგუფებათა ჩამოყალიბება-განვითარების ისტორია (აკადემიური ასოციაცია, არიფიონი, ქართველ ფუტურისტთა ჯგუფი); ასევე თავი: ქართული დემოკრატიული მწერლობა – მისი ზოგადი ტენდენციები, წარმომადგენლები და ქრონოლოგიური ჩარჩო; შეიქმნა ახალი ნაკვეთი ქართველ პროლეტარულ მწერალთა შესახებ (აღსანიშნავია, რომ ამგვარი, კონიუნქტურისაგან თავისუფალი, ახალ მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული გამოკვლევა დღემდე არ არსებობს ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში); გაანალიზდა მოდერნისტული პერიოდის ლიტერატურული თუ პარტიული პრესა, გამოიკვეთა მათი ლიტერატურული პოლიტიკა და გავლენა იმ პერიოდის ზოგადკულტურულ პროცესებზე. ამ ძალზე მნიშვნელოვანი და წინააღმდეგობრივი ისტორიულ-პოლიტიკური და კულტურული ეპოქის თავისებურებები გამოკვლეულია ახალი მიდგომების, შეხედულებების, შეფასებების გათვალისწინებით; ყველა თავს ერთვის ბიბლიოგრაფია.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მანანა შამილიშვილი	„მელოდრამატული მედიაკულტურის“ ქართული პარადიგმები”, ჟურნალი „კრიტიკა“	№10	თბილისი, თსუ გამომცემლობა	გვ. 238-247
2	მანანა შამილიშვილი მარი წერეთელი	”1918-21 წლების ქართული პარტიული პრესის ლიტერატურულ-პუბლიცისტური ინტერესები” – მე-9 საერთაშორისო სიმპოზიუმის „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“. მასალები	ნაწილი III	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	გვ.: 137-149
3	მანანა შამილიშვილი	”პოლიტიკური სიმბოლო ქართულ ვიზუალურ მედიაენაში” – მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“ სამეცნიერო შრომების კრებული		თბილისი, თსუ გამომცემლობა	გვ. 402-414
4.	მანანა შამილიშვილი მარი წერეთელი	”ლიბერალურ ღირებულებათა რეფლექსია 1918-1921 წლების ქართულ პრესაში” - მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“, სამეცნიერო შრომების კრებული		თბილისი, თსუ გამომცემლობა	(იბეჭდება)

ანოტაციები ქართულ ენაზე

მანანა შამილიშვილი

„მელოდრამატული მედიაკულტურის“ ქართული პარადიგმები

სტატიაში გაანალიზებულია თანამედროვე სამყაროში ესოდენ გავრცელებული ტელეპროდუქტის – ტელესერიალების – როლი და გავლენა როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ისე კულტურის განვითარებაზე, ტელესერიალი გააზრებულია, როგორც ფართო მასაზე ფარული ზეგავლენის მოხდენის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება.

1918-21 წლების ქართული პარტიული პრესის ლიტერატურულ-პუბლიცისტური ინტერესები

სტატიაში მოცემულია 1918 - 1921 წლების ქართული პარტიული პრესის შესწავლის შედეგები, რის საფუძველზეც გაანალიზდა პარტიული პრესის ლიტერატურულ-პუბლიცისტური ვექტორი, გამოიკვეთა ტენდენცია, რომელი მწერლები იბეჭდებიან უფრო ხშირად ამა თუ იმ გაზეთის ფურცლებზე და რაზე მიანიშნებს ეს არჩევანი.

პოლიტიკური სიმბოლო ქართულ ვიზუალურ მედიაენაში

თანამედროვე გლობალურ სამყაროში ძალაუფლებისთვის ბრძოლა სიმბოლოებისა და ნიშნებისთვის ბრძოლის გზაზე გადის, წინამდებარე ნაშრომიც ამის შესწავლის საჭიროების გამო შეიქმნა. მასში გაანალიზებულია თანამედროვე ქართული პოლიტიკური პროცესების სიმბოლურ-ალეგორიული ენა, პოლიტიკურ პარტიათა ნიშნებში გამოხატული მიზანი და სტრატეგია, ეს ყველაფერი კი მსოფლიო პოლიტიკურ პროცესების ჭრილშია განხილული.

”ლიბერალურ ღირებულებათა რეფლექსია 1918-1921 წლების ქართულ პრესაში”

ნაშრომში გაანალიზებულია 1918-1921 წლების პარტიული პრესის ზოგადპოლიტიკური ტენდენციები, თუ როგორ აღიქმებოდა XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ქართულ პოლიტიკურ პარტიათა მიერ ლიბერალური ღირებულებები და როგორაა ყოველივე წარმოჩენილი მათი პერიოდული გამოცემების ფურცლებზე.

II. 2. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	Manana Shamilishvili	“The problem of patriotism in the emigrant political journalism viewed on the basis of materials published in *KartuliGazeti* (Berlin, 1916-1918),” კრებულში: „Literature in Emigrants'		Cambridge Scholars Publishing, 2015	(იბეჭდება)

		Fiction (20th century experience),“			

ანოტაციები ქართულ ენაზე

Manana Shamilishvili

“The problem of patriotism in the emigrant political journalism viewed on the basis of materials published in *KartuliGazeti* (Berlin, 1916-1918)” - “პატრიოტიზმის პრობლემა ემიგრანტულ პუბლიცისტიკაში: “ქართული გაზეთის (ბერლინი, 1916 -1918)” მასალათა მიხედვით”

სტატიაში ნაჩვენებია ქართული ემიგრაციის წარმომადგენელთა მრავალმხრივი მოღვაწეობა ერთი კონკრეტული მედიასაშუალების, 1916 – 1918 წ.წ. ბერლინში გამომავალი „ქართული გაზეთის“ მაგალითზე. ამ საინტერესო პერიოდული გამოცემის შესწავლამ საშუალებას მოგვცა, გამოგვეკვეთა ემიგრანტთა საზოგადოებრივი ცხოვრების განმსაზღვრელი ძირითადი ასპექტები, ხოლო ცალკეული პუბლიკაციის ანალიზით, ნათლად წარმოგვეჩინა საგაზეთო პოლიტიკა და მისი მესვეურების პოზიცია რუსეთის ხელისუფლებასთან დამოკიდებულების, საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს პრობლემებისა და საჭიროებების შესახებ.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მანანა შამილიშვილი მარი წერეთელი	1918-21 წლების ქართული პარტიული პრესის ლიტერატურულ-პუბლიცისტური ინტერესები	IX საერთაშორისო სიმპოზიუმის „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. თბილისი. 23-25 სექტემბერი
2	მანანა შამილიშვილი, მარი წერეთელი	ლიბერალურ ღირებულებათა რეფლექსია 1918-1921 წლების ქართულ პრესაში	III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თბილისი, 25-27 ივნისი

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

მანანა შამილიშვილი

1918-21 წლების ქართული პარტიული პრესის ლიტერატურულ-პუბლიცისტური ინტერესები

მოხსენებაში მოცემულია 1918-1921 წლების ქართული პარტიული პრესის შესწავლის შედეგები, რის საფუძველზეც გაანალიზდა პარტიული პრესის ლიტერატურულ-პუბლიცისტური ვექტორი, გამოიკვეთა ტენდენცია, რომელი მწერლები იბეჭდებიან უფრო ხშირად ამა თუ იმ გაზეთის ფურცლებზე და რაზე მიანიშნებს ეს არჩევანი.

ლიბერალურ ღირებულებათა რეფლექსია 1918-1921 წლების ქართულ პრესაში

მოხსენებაში გაანალიზებულია 1918-1921 წლების პარტიული პრესის ზოგადპოლიტიკური ტენდენციები, თუ როგორ აღიქმებოდა XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ქართულ პოლიტიკურ პარტიათა მიერ ლიბერალური ღირებულებები და როგორაა ეს ყველაფერი წარმოჩენილი მათი პერიოდული გამოცემების ფურცლებზე.

დანართი

მარი წერეთელი

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: **ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტი**

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ნინო ჭალაგანიძე

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორი მარიამ გერსამია,

პროფესორი დალი ოსეფაშვილი,

ასოცირებული პროფესორი მარი წერეთელი,

ასოცირებული პროფესორი მანანა შამილიშვილი,

ასოცირებული პროფესორი ირა ბიჭიკაშვილი,

ასოცირებული პროფესორი რუსუდან ვაშაკიძე,

ასოცირებული პროფესორი ნათია კუპრაშვილი,

ასოცირებული პროფესორი ნანული ტალახაძე,

ასოცირებული პროფესორი მაია ტორაძე,

ასოცირებული პროფესორი თამაზ ჯოლოგუა,

ასისტენტ-პროფესორი თამარ ბელქანია,

ასისტენტ-პროფესორი ხათუნა კაჭარავა,

ასისტენტ-პროფესორი მარინე ლომიძე,

ასისტენტ-პროფესორი მაგდა მემანიშვილი,

ასისტენტ-პროფესორი თეა მჟავანაძე,

ასისტენტ-პროფესორი ნინო ჭალაგანიძე

ასისტენტ-პროფესორი ხათუნა მაისაშვილი.

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

I. 4.

	1918-1921 წლების ქართული პლურალისტური მედიის ძირითადი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო	**მანანა შამილიშვილი** თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა	1.**მარი წერეთლი-** თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

	სტრატეგიები – **07** სოციალური მეცნიერებები; 07/03 მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა	უნივერსიტეტი (თსუ მიზნობრივი სამეცნიერო პროექტი)	ფაკულტეტის ჟურნალისტიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი	ჟურნალისტიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი 2.**ნანული ტალახაძე** თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი 3.**თინათინ მაჭარაშვილი**- თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტურანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „მასობრივი კომუნიკაცია” მე-2 სემესტრის სტუდენტი 4. **ანა კაკულია** - თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „მასობრივი კომუნიკაცია და მედიის კვლევები” მე-2 სემესტრის სტუდენტი 5. **ბადრი კობიაშვილი** - თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ჟურნალისტიკა და მასკომუნიკაცია” მესამე დონის სტუდენტი

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

პროექტის ფარგლებში ჩატარებული სამეცნიერო კვლევა განეკუთვნება სოციალური მეცნიერებების მიმართულებას, კერძოდ - ჟურნალისტიკის ისტორიას და ასახავს საქართველოს სუვერენიტეტის წლების (1918 - 1921) ქართული ჟურნალისტიკის ძირითად მსოფლაღქმით და შემოქმედებით სტრატეგიებს. აღნიშნული თემატიკა დღემდე არ გამხდარა საგანგებო კვლევის საგანი და, ამდენად, მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს. პროექტში ყურადღება გამახვილებულია საქართველოს რესპუბლიკის არსებობის პრობლემატიკაზე, რომელიც იდეურ ჭიდილში ვლინდება და პარტიული პრესის პრიმატით აღინიშნება. ამ პროცესის უმთავრესი ნიშანია ეროვნულ-დემოკრატიული და სოციალისტური იდეოლოგიების გამტარებელ პარტიულ დაჯგუფებებს შორის მსოფლმხედველობრივი დაპირისპირება, რაც პრესის ფურცლებზე თვალნათლივ გამოვლინდა. ყველაზე სიპტომურად საქართველოს პირველი რესპუბლიკის სისხლსავსე ცხოვრების დოკუმენტურ სურათს წარმოსახავდა საკვლევად ჩვენ მიერ შერჩეული გამოცემები (ეროვნულ-დემოკრატების მთავარი კომიტეტის ორგანო, გაზეთი „საქართველო", სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანო „ერთობა", სოციალ-ფედერალისტების სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტის გამოცემა „სახალხო საქმე" და სამთავრობო ორგანო „საქართველოს რესპუბლიკა").

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდის მედიაკლიმატი უპრეცედენტოდ პლურალისტური იყო, ხოლო მედიის თავისუფლება - შეუზღუდავი. ასევე, მკაფიოდ წარმოჩნდა პუბლიცისტური დისკურსის თავისებურებები, პუბლიცისტური ტექსტების კონცეპტუალური მახასიათებლები და მოცემული პერიოდის მედიაგარემოს შემოქმედებითი სტრატეგიები. მოძიებული მასალის სისტემატიზებისა და ცალკეული გამოცემების პუბლიკაციათა შესწავლა-კლასიფიკაციის გზით გამოიკვეთა ის ევოლუცია, რაც მედიატექსტმა განვითარების ხანგრძლივ და წინააღმდეგობრივ გზაზე განიცადა და საკვლევი პერიოდისათვის განსხვავებული, თვითმყოფადი სახით ჩამოყალიბდა

II. 1. პუბლიკაციები:
ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ-ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერ დები ს რაოდ ენობა
1.	მარი წერეთელი	„ცივი ომის“ დროის კონტრასტული სივრცეების ინტერკულტურული ასპექტების გააზრებისათვის (ჯონ სტაინბეკისა და ნოდარ დუმბაძის ჟურნალისტური ნაწერების მიხედვით)	„სივრცე, საზოგადოება, ოლიტიკა –სამეცნიერო შრომების კრებული №2	ივანე ჯავახიშვილისა სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	14 გვ.
2.	მარი წერეთელი მანანა შამილიშვი ლი	1918 – 1921 წლების ქართული პარტიული პრესის ლიტერატურულ – პუბლიცისტური ინტერესები	ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა – 9 საერთაშორისო სიმპოზიუმის - ლიტერატურათმცოდნეობ ის თანამედროვე პრობლემები. ნაწილი III / მასალები	შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი	8გვ.

ანოტაციები ქართულ ენაზე

1 ნაშრომში 1918 - 1921 წლების ქართული პარტიული პრესის (გაზეთები: „ერთობა“, „სახალხო საქმე“, „საქართველო“, „საქართველოს რესპუბლიკა“) ლიტერატურულ – პუბლიცისტური ინტერესები შესწავლილია პოლიტიკური, კულტურული, სოციალური კონტექსტების გათვალისწინებით. იმდროინდელ მსოფლმხედველობრივ ჭრილშია გაანალიზებული პუბლიცისტური დისკურსის, ემპირიულ დროში მიმდინარე პროცესების მედიატექსტებში ასახვის თავისებურებანი,წარმოჩენილია აღნიშნული პერიოდის პოლიტიკური მედიის ძირითადი შემოქმედებითი სტრატეგიები. გამოკვეთილია, რომ მიუხედავად კონკრეტული იდეოლოგიური მიზანდასახულობისა, პარტიული გამოცემები დიდ ადგილს უთმობდნენ პუბლიცისტურ მასალას, ცნობილი პუბლიცისტებისა და მწერლების (მიხ. ჯავახიშვილი, ტ. ტაბიძე, გ. ქიქოძე, ვ. ბარნოვი, ს. ფირცხალავა, რ. გაბაშვილი, შ. ამირეჯიბი, ი. ჭყონია, გრ. ვეშაპელი, აპ. წულაძე და სხვ.) მედიატექსტებს, რომლებიც მრავალფეროვანი და აქტუალური თემატიკის შემცველია. პარტიულ გამოცემათა ლიტერატურულ – პუბლიცისტური

პროდუქცია კლასიფიცირებულია თემატურ – ჟანრობრივი თვალსაზრისით (1. მხატვრული ნაწარმოებები 2. ლიტერატურული კრიტიკა – რეცენზია, მიმოხილვა; 3. ინფორმაცია – ანგარიშები ლიტერატურული, თეატრალური ცხოვრებიდან, ზოგადად, სახელოვნებო სიახლეები; 4. საკუთრივ პუბლიცისტური ნაწარმოებები – ანალიზური და მხატვრული ჟურნალისტიკის ნიმუშები. კვლევის შედეგად შესაძლებელია ჟურნალისტიკის ისტორიის ერთ – ერთი ყველაზე რთული და საინტერესო პერიოდის თანამედროვე რეცეფცია.

2. ნაშრომში შესწავლილია XX საუკუნის უპრეცენდენტო საბჭოთა რეჟიმის პირობებში ცივი ომის დროს შექმნილი ორი თვალსაჩინო ავტორის ჯონ სტეინბეკის წიგნი „რუსული დღიური“ (1947წ.) და ნოდარ დუმბაძის სამოგზაურო ნარკვევი „ოდისევსის დაბრუნება“, (1978წ.) საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მოგზაურობის ამსახველი დოკუმენტური ნაწარმოების მიხედვით ქვეყნების პოლიტიკური რეალობა გაანალიზებულია კომპარატივისტული მეთოდის მოშველიებით და ინტერკულტურულ კონტექსტშია გააზრებული. დაკვირვება მოწმობს, რომ ეპოქა და იდეოლოგიური წნეხი გარკვეულ გავლენას ახდენს ტექსტებზე, თუმცა, ავტორები, არსებითად, არ უგულებელყოფენ შთაბეჭდილებების გადმოცემის სიზუსტის, კეთილსინდისიერების პრინციპს და თანამედროვე ჟურნალისტიკისათვის დამახასიათებელი გამოხატვის ხერხებით ქმნიან კულტურული ღირებულების მქონე პარალელური სივრცეების დოკუმენტურ სურათს. ნაშრომში შესწავლილია ტექსტების კულტურათშორისი ასპექტები, კონტენტის თვისობრივი მახასიათებლები, პოლიტიკური კონტექსტი და ტექსტების საინფორმაციო ღირებულება.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.	მარი წერეთელი მანანა შამილიშვილი	ლიბერალურ ღირებულებათა რეფლექსია 1918 – 1921 წლების ქართულ პრესაში - III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა –სოციალური და სივრცითი მობილობა	26-27 იანვარი (ქ.თბილისი)
2.	მარი წერეთელი მანანა შამილიშვილი	1918 – 1921 წლების ქართული პარტიული პრესის ლიტერატურულ – პუბლიცისტური ინტერესები IX საერთაშორისო სიმპოზიუმი – ლიტარატურათმცოდნეობის	23- 25 სექტემბერი, 2015 (ქ.თბილისი)

		თანამედროვე პრობლემები, ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა	

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1. კვლევაში წარმოჩენილია საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში გამომავალი ქართული საზოგადოებრივ - პოლიტიკური გამოცემების (გაზეთების: „სახალხო საქმე“, „საქართველო”, „ერთობა“, ..საქართველოს რესპუბლიკა”) მიერ გაცხადებული ღირებულებითი ორიენტირების თავისებურებანი. ლიბერალურ ღირებულებებზე დაფუძნებული „ქართული ევროპეიზმის“ იდეა, რომელიც მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ჟურნალიზმის ანტიკოლონიურ კონცეფციად ჩამოყალიბდა, პირველი დამოუკიდებლობის წლების პრესაში ახალ, ეპოქის შესატყვის დატვირთვას იძენს. აღნიშნული პერიოდის პრესა კლასიკური ლიბერალიზმის პრინციპებზე დაფუძნებულ შემდეგ უფლებრივ განზომილებებს მოიაზრებდა: რწმენისა და გამოხატვის თავისუფლებას, კანონის უზენაესობას, პერსონალურ ავტონომიურობასა და ინდივიდუალურ უფლებებს. შემდგომში ამ ნუსხას სხვა ელემენტებიც დაემატა. აქტუალიზდება რელიგიური ტოლერანტობის თემაც. მოცემული პერიოდის ჟურნალისტურ ტექსტებში რეფლექსირებული და რაციონალიზებულია ის ღირებულებები, რომლებიც დღევანდელ დემოკრატიულ და ლიბერალურ საზოგადოებაშია აღიარებული. მ. ჯავახიშვილის, ტ. ტაბიძის, გრ. რობაქიძის, გ. ქიქოძის, ვ. კოტეტიშვილის, პ. ინგოროყვას, ს. ფირცხალავასა და სხვათა პუბლიკაციების ანალიზით შესაძლებელია მსჯელობა იმ პერიოდის თვალსაზრისის „შემქმნელთა“ ღირებულებით ორიენტაციაზე (რომელიც ხშირად დომინანტ იდეოლოგიებთან წინააღმდეგობაში მოდიოდა). ეს კი, საბოლოო ჯამში, მთელი საზოგადოების განწყობათა ჩამოყალიბებასა და დემოკრატიული მედიაგარემოს შექმნას უწყობდა ხელს.

2. კვლევაში ასახულია 1918 - 1921 წლების ქართული პარტიული პრესის (გაზეთები: „ერთობა“, „სახალხო საქმე“, „საქართველო“, „საქართველოს რესპუბლიკა“) ლიტერატურულ – პუბლიცისტური ინტერესები, პოლიტიკური, კულტურული, სოციალური კონტექსტების გათვალისწინებით. მსოფლმხედველობრივ ჭრილშია წარმოჩენილი პუბლიცისტური დისკურსის, ემპირიულ დროში მიმდინარე პროცესების მედიატექსტებში ასახვის თავისებურებანი. აღნიშნული საკითხების ანალიზით ნათლად გამოიკვეთა მონიშნული პერიოდის პოლიტიკური მედიის ძირითადი შემოქმედებითი სტრატეგიები. გამოიკვეთა, რომ მიუხედავად კონკრეტული იდეოლოგიური მიზანდასახულობისა, პარტიული გამოცემები დიდ ადგილს უთმობდნენ პუბლიცისტურ მასალას, ცნობილი პუბლიცისტებისა და მწერლების (მიხ. ჯავახიშვილი, ტ. ტაბიძე, გ. ქიქოძე, ვ. ბარნოვი, ს. ფირცხალავა, რ. გაბაშვილი, შ. ამირეჯიბი, ი. ჭყონია, გრ. ვეშაპელი, აპ. წულაძე და სხვ.) მედიატექსტებს, რომლებიც მრავალფეროვანი და აქტუალური თემატიკის შემცველია. პარტიულ გამოცემათა ლიტერატურულ – პუბლიცისტური პროდუქცია კლასიფიცირებულია თემატურ – ჟანრობრივი თვალსაზრისით (1. მხატვრული ნაწარმოებები 2. ლიტერატურული კრიტიკა – რეცენზია, მიმოხილვა; 3. ინფორმაცია – ანგარიშები ლიტერატურული, თეატრალური ცხოვრებიდან, ზოგადად, სახელოვნებო სიახლეები; 4. საკუთრივ პუბლიცისტური ნაწარმოებები – ანალიზური და მხატვრული ჟურნალისტიკის ნიმუშები. კვლევის შედეგად შესაძლებელია ჟურნალისტიკის ისტორიის ერთ – ერთი ყველაზე რთული და საინტერესო პერიოდის თანამედროვე რეცეფცია.

IV. 2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
	ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია (ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები)	**გიორგი აბაშიძე** ფილოლოგიის დოქტორი, ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრის სამეცნიერო ხელმძღვანელი	**მარი წერეთლი-** თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი 2. ლეილა სულხანიშვილი, ფილოლოგიის დოქტორი, , ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი 3. მანანა ბარათაშვილი ფილოლოგიის დოქტორი, , ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი 3. ნინო მამარდაშვილი ფილოლოგიის დოქტორი, , ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრის დირექტორი 4. მანანა ყიფიანი ფილოლოგიის დოქტორი, , ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრის	პროექტი ხორციელდება ექვთიმე თაყაიშვილის საქველმოქმედო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით

			უფროსი მეცნიერი თანამშრომელი 5. თამარ მიქაძე ფილოლოგიის დოქტორი, , ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი 6. ნანა ზღულაძე ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი	

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

ილია ჭავჭავაძის პერსონალურ ენციკლოპედია ამ სახის პირველი გამოცემაა ქართულ ენაზე. კვლევის პროცესში დამუშავდა პირველწყაროები, დიდძალი საარქივო მასალა (მათ შორის საოჯახო არქივები), პერიოდული გამოცემები, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, თეატრალური, ეთნოგრაფიული და სხვა საზოგადოებების, მრავალი ორგანიზაციის შემონახული დოკუმენტაცია, ასევე ინტერნეტრსივრცეში არსებული უამრავი წყარო. შესწავლილი იქნა თავად ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ტომეულებიც, ილიას ბიბლიოგრაფია, საიუბილეო კრებულები, მემუარული ლიტერატურა, ქართული და უცხოური ენციკლოპედიები, პერიოდული გამოცემები, ბიბლიოგრაფიული ცნობარები, რათა შედარებითი ანალიზით დადგენილიყო ცალკეული დოკუმენტების, მონაცემებისა და ფაქტების უტყუარობა. აქვე დავძენ, რომ გასწორდა თავად ბიბლიოგრაფიულ ლიტერატურაში არსებული ცალკეული უზუსტობანი. კვლევა-ძიების არეალი მოიცავს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ რუსეთის იმპერიის, ევროპისა და ზოგადად, მსოფლიოს იმჟამინდელ და ისტორიულ, პოლიტიკურ, კულტურულ თუ გეოგრაფიულ სივრცეს.

2010 წელს გამომცემლობა „უნივერსალმა“ დაბეჭდა ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია (1837-1907) –სიტყვანი“,
პროექტის ფარგლებში, გამოსაცემად მომზადდა მეორე წიგნი - „მასალები ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედიისათვის”, სადაც აისახა შემდგომი კვლევის შედეგები, წიგნს დაემატა მნიშვნელოვანი მასალა და გაფართოებული და შევსებული სახით წარმოდგა ე.წ. „პერსონალიები“, სადაც თავს იყრის პიროვნებათა ბიოგრაფიისა და ღვაწლის ამსახველი მონაცემები. ფაქტობრივი შედეგების გარდა მნიშვნელოვანია, რომ ილიას თანამედროვეთა წარმოჩენით ცხადდება მათი მსოფლმხედველობრივი და პარტიული კუთვნილება, რაც განსაზღვრავდა ილია ჭავჭავაძისა და მის იდეურ მომხრეთა მიმართ ამა თუ იმ პოლიტიკური ძალისა თუ ჯგუფის დამოკიდებულებას. სწორედ პერსონალიებში მკაფიოდ აისახება წარსულის წინააღმდეგობრივი და აწ უკვე გადაფასებული, რეალური, უაღრესად მრავალმხრივი სურათი, დოკუმენტურად ჩანს ზოგადად, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ნიადაგის რაგვარობა, რაც არის ამ ეტაპზე კვლევის ერთ-ერთი მთავარი სიახლე და შედეგი.

დანართი

მარიამ გერსამია

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: **ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტი**

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ნინო ჭალაგანიძე

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორი მარიამ გერსამია,

პროფესორი დალი ოსეფაშვილი,

ასოცირებული პროფესორი მარი წერეთელი,

ასოცირებული პროფესორი მანანა შამილიშვილი,

ასოცირებული პროფესორი ირა ბიჭიკაშვილი,

ასოცირებული პროფესორი რუსუდან ვაშაკიძე,

ასოცირებული პროფესორი ნათია კუპრაშვილი,

ასოცირებული პროფესორი ნანული ტალახაძე,

ასოცირებული პროფესორი მაია ტორაძე,

ასოცირებული პროფესორი თამაზ ჯოლოგუა,

ასისტენტ-პროფესორი თამარ ბელქანია,

ასისტენტ-პროფესორი ხათუნა კაჭარავა,

ასისტენტ-პროფესორი მარინე ლომიძე,

ასისტენტ-პროფესორი მაგდა მემანიშვილი,

ასისტენტ-პროფესორი თეა მჟავანაძე,

ასისტენტ-პროფესორი ნინო ჭალაგანიძე

ასისტენტ-პროფესორი ხათუნა მაისაშვილი.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	მარიამ გერსამია (ერთ-ერთი თავის "მედიის ზეგავლენა მიგრაციის პროცესებზე" ავტორი)	მიგრაცია	გადაცემულია დასაბეჭდად	

ანოტაციები ქართულ ენაზე

ამ ეტაპზე ჩემს მიერ საბოლოოდ რედაქტორებულია სახელმძღვანელოს თავი "მედიის ზეგავლენა მიგრაციის პროცესებზე", სახელმძღვანელო განკუთვნილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებისთვის.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
	მარიამ გერსამია	სოციალური ქსელების საკომუნიკაციო ფუნქცია მედია განათლებაში	2015, იტალია, რომი, საერთაშორისო ინტერდისციპლინური, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების კონფერენცია

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

კვლევის მიზანია დადგინდეს თსუ-ის ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის პროგრამების სწავლებისას, სოციალური ქსელების გამოყენების სასწავლო მიზნები; შეფასდეს სწავლების სხვადასხვა მეთოდის ციფრულ აუდიტორიაში ადაპტაციის ეფექტურობა და ზეგავლენა კომპეტენციებზე დაფუძნებული განათლების (კერძოდ, კომუნიკაციის უნარის) განვითარებაში.

მეთოდოლოგია: გამოიკითხა ზემოთხსენებულ პროგრამებში ჩართული ლექტორები და რაოდენობრივი კვლევის მეთოდით, მონაცემები დამუშავდა შ შშ–ში. დამატებით, ლექტორთა ჰომოგენურ ჯგუფთან (=10) ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები; ჩატარდა თსუ-ის ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის პროგრამების, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, მოხდა მიღებული კვლევის შედეგების შედარება გასული წლის მონაცემებთან.

თსუ-ის ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის პროგრამებში ჩართული ლექტორების 79% სხვადასხვა სასწავლო მიზნებისთვის აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს. კვლევისას გამოიკვეთა, რომ სოციალურ ქსელებში დანერგილია სწავლების სხვადასხვა მეთოდი (მაგ: ონლაინ გონებრივი იერიში). გამოიკვეთა სწავლების სხვადასხვა მეთოდის გამოყენების უპირატესობები და გამოწვევები.

კვლევამ აჩვენა სტუდენტების და ლექტორების, როგორც ციფრული აუდიტორიის, საერთო საგანმანათლებლო მიზნები. გამოკითხულ ლექტორთა 91%-მა დაადასტურა, რომ იყენებს აცებოოკ–ის ე.წ. დახურულ ჯგუფებს და მათგან, ყველა ადასტურებს, რომ ამგვარი ჯგუფების საკომუნიკაციო ფუნქცია მნიშვნელოვანი და სასარგებლოა. სასწავლო კურსის ფარგლებში შექმნილ დახურულ ჯგუფებში, სტუდენტები ტუტორის ფუნქციას ითავსებენ და მთელი დღის მანძილზე, მონაწილეობენ ურთიერთკონსულტირების პროცესში. დადასტურდა პოზიტიური კავშირი სტუდენტების დახურულ ჯგუფებში აქტიურობასა და მათ მაღალ აკადემიური მოსწრებას შორის.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული ანალოგიური კვლევების

მსგავსად, ამ კვლევამ დაადასტურა, რომ სოციალური ქსელების სწავლების პროცესში გამოყენება ეხმარება სწავლების სხვადასხვა მიზნების მიღწევას, ავითარებს კომპეტენციებზე დაფუძნებულ განათლებას, კერძოდ, კომუნიკაციის უნარს; ხელს უწყობს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარების განვითარებას და სხვ.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
	მარიამ გერსამია	საერთაშორისო სასამართლო პროცესების გაშუქება ქართულ მედიაში (შემთხვევის ანალიზი: საქართველო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ (საქმე № 1)	2015, თსუ, სამხრეთ კავკასიის საერთაშორისო კონფერენცია მედია სამართლის საკითხებზე: "მედია, სამართალი და ეთიკა – რეგიონალური პერსპექტივები"

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

რეზონანსული სასამართლო პროცესები მედიაში წლობით იკავებს თავის ნიშას. იცვლებიან ჟურნალისტები, რომლებიც ამ საკითხს აშუქებენ, მოვლენის განვითარების ფაზები, კონტექსტი, რესპონდენტები, მაგრამ უცვლელი რჩება საარქივო მასალა (მათ შორის აუდიო-ვიზუალური და ტექსტუალური). ასეთ დროს, შეიძლება წარმოიშვას მნიშვნელოვანი ინფორმაციის მუდმივად გამეორების ან გამოტოვების პრაქტიკა.

მედიაქეისის აღწერა: მრავალწლიანი განხილვის შემდეგ, 2014 წლის 3 ივლისს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (ქ. სტრასბურგში) გამოაცხადა თავისი მასშტაბით უპრეცენდენტო გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველო რუსეთის წინააღმდეგ. საქმე ეხებოდა 2006 წლის შემოდგომაზე რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ქართველების შევიწროებასა და მათ მასობრივ დეპორტაციას, როცა რუსეთის ხელისუფლებამ 2 300-ზე მეტი ქართველი დააკავა და გამოაძევა; სასამართლოს გადაწყვეტილებით, რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროკონვენციის რვა მუხლი დაარღვია.

ამ ამბის მედიით გაშუქება რამდენიმე ეტაპად იყოფა: სარჩელის მომზადება საქართველოს ხელისუფლების მიერ, სასამართლოს მიერ სარჩელის დასაშვებად ცნობა, მოწმეთა ჩვენებების მოსმენა, გადაწყვეტილების მოლოდინი, გადაწყვეტილების გამოცხადება და სამომავლოდ, აღსრულების პროცესი. ამ მოხსენებაში გაანალიზებულია დავის კონკრეტული ეტაპის, კერძოდ გადაწყვეტილების გამოცხადების გაშუქება ქართულ მედიაში („რუსთავი 2", „იმედი", „პირველი არხი - საზოგადოებრივი მაუწყებელი", „მაესტრო").

მეთოდოლოგია: რაოდენობრივი კვლევა, პირველადი და მეორადი წყაროების კვლევა; მედიის კონტენტ ანალიზი;

საკვლევი კითხვები: რამდენად იდენტურია გაშუქების ქარგა (შინაარსი, წყაროები, ვიზუალი და სხვ) სხვადასხვა მედიაში? (1); რა ბექგრაუნდს (ვიზუალურ და ვერბალურ მასალას) იყენებს მედია სასამართლო პროცესის გაშუქებისას? (2); როგორ იკვეთება გაშუქებაში დავის სამართლებრივი ასპექტები? (3).

ჰიპოთეზა: ყოველ ახალი გაშუქებაზე გავლენას ახდენს წინა ამბის ნარატივი და შესაძლებელია, წლების მანძილზე ამბავმა იმგვარად განიცადოს ტრანსფორმაცია, რომ დაიკარგოს ან უცვლელი დარჩეს მნიშვნელოვანი კონტექსტი. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია 2006-07 წელს გაშუქებული ამბების და 2013-14 წელს გაშუქებული ამბების შედარება.

თემა ადგილობრივ და საერთაშორისო მედიაში მრავალი წლის მანძილზე (2006-2015) შუქდებოდა და სავარაუდოდ, კვლავ დაიკავებს გარკვეულ ნიშას ახალ ამბებში. მედიაში ამბის განვითარებასთან ერთად, უცვლელი რჩებოდა ბექგრაუნდი, რომელიც საარქივო მასალაზე დაყრდნობით წარმოაჩენდა მედიაში გავრცელებულ დეპორტაციის ვიზუალურ კადრებს (მათ შორის იყო სამოყვარულო კამერით გადაღებული მასალა, თბილისში რუსეთის საგანგებო სიტუაციების სამინისტროს სატვირთო თვითმფრინავით ჩამოყვანის ამსახველი შემზარავი ვიდეოკადრები, ფოტოები), თვითმხილველთა და დაზარალებულების მონათხრობს (ადამიანთა ისტორიებს, მოგონებებს), დავის არსობრივ დეტალებს და სხვ.

მოხსენებაში წარმოდგენილია კვლევის და შედეგების ნაწილი.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
	საგრანტო პროექტი “საქართველოს მიგრაციის მენეჯმენტის გაძლიერება” (ENIGMA), სახელმძღვანელო მიგრაციის შესახებ		ავტორთა ჯგუფი. მ. გერსამია ავტორი თავისა მედიის და მიგრაციის შესახებ	მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD).
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე) ამ ეტაპზე ჩემს მიერ საბოლოოდ რედაქტორებულია სახელმძღვანელოს თავი “მედიის ზეგავლენა მიგრაციის პროცესებზე”, სახელმძღვანელო განკუთვნილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებისთვის.				

დანართი

მარინა ბურძენიძე

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: **სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტი**

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: იაგო კაჭკაჭიშვილი

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორი ამირან ბერძენიშვილი,

პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი,

ასოცირებული პროფესორი ნინო დურგლიშვილი,

ასოცირებული პროფესორი თამარ მახარაძე,

ასოცირებული პროფესორი ლია წულაძე,

ასოცირებული პროფესორი კახა ქეცბაია,

ასოცირებული პროფესორი ლელა გაფრინდაშვილი,

ასოცირებული პროფესორი მარინა ბურძენიძე,

ასოცირებული პროფესორი ნათელა დონაძე,

ასოცირებული პროფესორი თამარ საბედაშვილი,

ასისტენტ-პროფესორი შორენა თურქიაშვილი,

ასისტენტ-პროფესორი თეონა მატარაძე,

ასისტენტ-პროფესორი სალომე ნამიჭეიშვილი,

ასისტენტ-პროფესორი ზურაბ ტატანაშვილი.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	მარინა ბურძენიძე, თეონა მატარაძე	"დანაშაულის, პატიმრებისა და მათი სოციალური სტატუსის აღქმა თბილისის მოსახლეობის მიერ," სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა 2	ISBN 978-9941-13-434-0 ISSN 2346-7959, ნომერი 2, 2015	თბილისი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	15 გვ.

ანოტაციები ქართულ ენაზე

სტატიას საფუძვლად უდევს 2013 წლის მაის-ივნისში თბილისში ჩატარებული რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევა, კერძოდ მასობრივი გამოკითხვა პირისპირი ინტერვიუს მეთოდით. შერჩევის დიზაინი იყო მრავალსაფეხურიანი კლასტერული შერჩევა. კვლევის გენერალურ ერთობლიობას წარმოადგენდა თბილისის მოსახლეობა. შერჩევის ზომა - 540, ცდომილების კოეფიციენტი 4.2% (95% სანდოობისათვის). სტატიაში განხილულია შემდეგი საკითხები:

- თბილისის მოსახლეობის მიერ დანაშაულის, დანაშაულის ჩადენაზე გავლენის მქონე ფაქტორებისა და სასჯელის აღქმა;
- თბილისის მოსახლეობის განწყობები დამნაშავეებისა და ყოფილი პატიმრების მიმართ;
- თბილისის მოსახლეობის დამოკიდებულება 2012 წლის სექტემბერში გამოქვეყნებული ციხის კადრების მიმართ;
- თბილისის მოსახლეობის დამოკიდებულება 2012-2013 წლებში პატიმრების მასობრივი გათავისუფლების მიმართ.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
	ნინო დურგლიშვილი **მარინა ბურძენიძე**	„შრომის და საგანმანათლებლო ბაზრების ურთიერთგაუცხოება თანამედროვე საქართველოში“	III საერთაშორისო კონფერენცია, "სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა" თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 25 ივნისი, 2015 წელი

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

სამუშაო ადგილების სიმცირის გამო, შრომის ბაზარი ნაკლებად ახდენს კანონზომიერ გავლენას განათლების ბაზარზე, აქედან გამომდინარე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ძირითადად განათლების ბაზრის მოთხოვნებზე რეაგირებენ. შესაბამისად, დაბალია უკუკავშირი შრომის ბაზრის აქტორების მხრიდანაც. უმაღლესი განათლება აღიქმება როგორც დასაქმების აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა, ამიტომ, მაღალი მოთხოვნა უმაღლეს განათლებაზე უფრო სოციოკულტურული და ფსიქოლოგიური ფაქტორებით არის გაპირობებული - საუნივერსიტეტო განათლება აღიქმება როგორც პიროვნული განვითარების, სოციალური კაპიტალის გაფართოებისა და სოციალიზაციის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. აქედან გამომდინარე, საგანმანათლებლო ბაზარზე უმაღლესი განათლების ხარისხისა თუ სწავლის პირობების მიმართ არსებული მოთხოვნები სწორედ ამ ფაქტორებს უკავშირდება და არა დასაქმების პერსპექტივას, რაც მნიშვნელოვან პრობლემებს წარმოშობს.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
	თანამედროვე ქართული საზოგადოების ცხოვრების წესი და განვითარების პერსპექტივა, სოციალური მეცნიერებები, სოციოლოგია	ნინო დურგლიშვილი	ამირან ბერძენიშვილი, **მარინა ბურძენიძე,** ნათელა დონაძე, შორენა თურქიაშვილი, თეონა მატარაძე, მარინა ქევხიშვილი, ილონა გოგია, ნინო ამონაშვილი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 3 მაგისტრანტი და 21 ბაკალავრიატის სტუდენტი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში შემოსული პროექტი

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

ცხოვრების წესი, როგორც ზოგადი სოციალური კატეგორია, ობიექტური (ცხოვრების პირობები, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი გარემო/მდგომარეობა და ა. შ.) და სუბიექტური (ატიტუდები/დამოკიდებულებები, პრეფერენციები, ღირებულებითი ორიენტაციები, მოლოდინები და სხვა) ასპექტების სისტემას წარმოადგენს.

პირველ ეტაპზე მოძიებულ იქნა სამეცნირო ლიტერატურა და კვლევითი ანგარიშები, რომლებიც ეხებოდა, ზოგადად, საზოგადოების და, კონკრეტულად, ქართული საზოგადოების ცხოვრების წესს. ჯგუფის წევრებმა თავიანთი კვლევითი ინტერესების მიხედვით შეადგინეს სხვადასხვა თემატური ბლოკები. სტრატიფიცირებული კლასტერული შერჩევის დიზაინის გამოყენებით საქართველოს მასშტაბით გამოკითხულ იქნა 1060 ადამიანი.

მას შემდეგომ, რაც მონაცემთა ბაზა გაიწმინდა, მონაცემები გადაეცა პროექტში ჩართულ თითოეულ მკვლევარს, რომლებიც თავიანთი ბლოკების მიხედვით ახორციელებდნენ მონაცემთა სტატისტიკურ და სოციოლოგიურ ანალიზს. ანალიზის დროს გამოყენებულ იქნა როგორც აღწერითი, ისე ახსნითი სტატისტიკა. მონაცემები გაანალიზდა სხვადასხვა სოციოლოგიური თეორიის ჩარჩოებში.

თანამედროვე ქართული საზოგადოების ცხოვრების წესის კვლევამ საშუალება მოგვცა:

ა) გამოგვევლინა ფაქტორები, რომლებიც საზოგადოების განვითარებაზე ზემოქმედებს;

ბ) შეგვეფასებინა ამ ფაქტორების ზემოქმედების როლი (ხელშემწყობი/ ხელშემშლელი) და ხარისხი;

გ) გაგვეხორციელებინა მომავლის ალტერნატივათა მოდელირება და შეგვემუშავებინა რეკომენდაციები.

დანართი

მარინე ლომიძე

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: **ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტი**

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ნინო ჭალაგანიძე

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორი მარიამ გერსამია,

პროფესორი დალი ოსეფაშვილი,

ასოცირებული პროფესორი მარი წერეთელი,

ასოცირებული პროფესორი მანანა შამილიშვილი,

ასოცირებული პროფესორი ირა ბიჭიკაშვილი,

ასოცირებული პროფესორი რუსუდან ვაშაკიძე,

ასოცირებული პროფესორი ნათია კუპრაშვილი,

ასოცირებული პროფესორი ნანული ტალახაძე,

ასოცირებული პროფესორი მაია ტორაძე,

ასოცირებული პროფესორი თამაზ ჯოლოგუა,

ასისტენტ-პროფესორი თამარ ბელქანია,

ასისტენტ-პროფესორი ხათუნა კაჭარავა,

ასისტენტ-პროფესორი მარინე ლომიძე,

ასისტენტ-პროფესორი მაგდა მემანიშვილი,

ასისტენტ-პროფესორი თეა მჟავანაძე,

ასისტენტ-პროფესორი ნინო ჭალაგანიძე

ასისტენტ-პროფესორი ხათუნა მაისაშვილი.

II.1. პუბლიკაციები:
ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ-ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მარინე ლომიძე	რესპონდენტი-მხატვრული სიტყვის ოსტატი(ოთარ ჭილაძის დიალოგებიდან) –გადაცემულია დასაბეჭდად		თბილისი, სტუ	8

2	მარინე ლომიძე, ლია მეტრეველი	კომუნიკაციის პროცესის ფსიქოლოგიური ასპექტები – გადაცემულია დასაბეჭდად		თბილისი, სტუ	5
3	მარინე ლომიძე	გენდერის გაშუქების პარადიგმები ქართულ მედიაში – გადაცემულია დასაბეჭდად		თბილისი, სტუ	6
4	მარინე ლომიძე	მეორე მსოფლიო ომის პიარტექნოლოგიები – გადაცემულია დასაბეჭდად		თბილისი, სტუ	5

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. რესპონდენტი – მხატვრული სიტყვის ოსტატი(ოთარ ჭილაძის დიალოგებიდან) – საკითხი განხილულია ოთარ ჭილაძის დიალოგების კრებულის „ღრუბელის" მიხედვით. ოთარ ჭილაძეს, როგორც რესპონდენტს, გამოარჩევს თავისუფალი, მხატვრული სახეებით აზროვნების სტილი.

2. კომუნიკაციის პროცესის ფსიქოლოგიური ასპექტები – კომუნიკაცია ნებისმიერ ორგანიზმს – ოჯახის, ორგანიზაციის, სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობის საფუძველია. საყურადღებოა ერთი რამ, როდის იწყება კომუნიკაცია. კომუნიკაციის განვითარება იწყება დაბადებამდე, როცა ჩანასახს მუცელში დედის ხმა გაურკვევლად ესმის.

3. გენდერის გაშუქების პარადიგმები ქართულ მედიაში – გენდერის საკითხების გაშუქებას თანამედროვე ქართულ მედიაში ახასიათებს პროფესიული ნაკლოვანებები, რომელთა აღმოფხვრისათვის მიზანშეწონილია: აღნიშნულ თემაზე მოსახლეობისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდება, ქალთა თვალსაზრისის წარმოჩენა. ქალისადმი ოჯახური ძალადობის პრობლემის გაშუქებისას პროფესიული სტანდარტების დაცვა, მოსალოდნელი ნეგატიური შედეგების თავიდან აცილება. ჟურნალისტებმა პუბლიკაციებსა და სიუჟეტებში არ უნდა გამოიყენონ სიძულვილის ენა, დისკრიმინაციული შედარებები, რომლებიც ხელს უწყობს გენდერული სტერეოტიპების დამკვიდრებას.

4. მეორე მსოფლიო ომის პიარტექნოლოგიები – მეორე მსოფლიო ომის პიარტექნოლოგიებიდან ყურადღებას იპყრობს პროპაგანდისტული იდეოლოგია ,როგორც საბჭოთა კავშირის, ასევე ნაცისტური გერმანიის მხრიდან. რეკლამები, მხატვრული ფილმები, პოსტერები. ეორე მსოფლიო ომის დროს ბრენდები საომარ მდგომარეობასთან მორგებას ცდილობდნენ და იმდროინდელი შემოქმედება მთლიანად ომის თემაზე იყო აწყობილი, იქნებოდა ეს სტომატოლოგიური მომსახურება, სიგარეტის რეკლამა თუ კოსმეტიკა.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ლია მეტრეველი, მარინე ლომიძე	კომუნიკაციის პროცესის ფსიქოლოგიური ასპექტები	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები გუშინ, დღეს, ხვალ,” 16-17 ოქტომბერი, 2015, თბილისი
2.	მარინე ლომიძე	გენდერის გაშუქების პარადიგმები ქართულ მედიაში	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, „მსოფლიო და გენდერი – 3“, 23.10.2015, თბილისი, სტუ.
3.	მარინე ლომიძე	მეორე მსოფლიო ომის პიარტექნოლოგიები	მე-4 საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი „მეორე მსოფლიო ომი და სამხრეთ კავკასია,” თბილისი, სტუ, 3-4 ივლისი, 2015
4	მარინე ლომიძე	დისკურსიული პარადიგმები, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმა	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მსოფლიო და კავკასია”, 26 ივნისი, 2015, თბილისი, სტუ
5	მარინე ლომიძე, ლია მეტრეველი	მწერლის დისკურიული დიალოგი, როგორც პიარფაქტორი	ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ხელისუფლება და საზოგადოება”, თბილისი, სტუ, 28.11.2015.
6	ლია მეტრეველი, მარინე ლომიძე	ინფორმაციული ომი: ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების პარამეტრები	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „საქართველოს განვითარების კვლევის ცენტრი”, თბილისი, თსუ, 16.12.2015
7	მარინე ლომიძე	მწერლობის არსის წვდომის დისკურსიული პარადიგმები, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმა	სამეცნიერო სემინარი:მედიაპროპაგანდა -ისტორიული რაკურსი და თანამედროვეობა. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თსუ. თბილისი, 17.10.2015
მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე 1. კომუნიკაციის პროცესის ფსიქოლოგიური ასპექტები – კომუნიკაცია ნებისმიერ ორგანიზმს – ოჯახის, ორგანიზაციის, სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობის			

საფუძველია. საყურადღებოა ერთი რამ, როდის იწყება კომუნიკაცია. კომუნიკაციის განვითარება იწყება დაბადებამდე, როცა ჩანასახს მუცელში დედის ხმა გაურკვევლად ესმის.

2. გენდერის გაშუქების პარადიგმები ქართულ მედიაში – გენდერის საკითხების გაშუქებას თანამედროვე ქართულ მედიაში ახასიათებს პროფესიული ნაკლოვანებები, რომელთა აღმოფხვრისათვის მიზანშეწონილია: აღნიშნულ თემაზე მოსახლეობისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდება, ქალთა თვალსაზრისის წარმოჩენა. ქალისადმი ოჯახური ძალადობის პრობლემის გაშუქებისას პროფესიული სტანდარტების დაცვა, მოსალოდნელი ნეგატიური შედეგების თავიდან აცილება. ჟურნალისტებმა პუბლიკაციებსა და სიუჟეტებში არ უნდა გამოიყენონ სიძულვილის ენა, დისკრიმინაციული შედარებები, რომლებიც ხელს უწყობს გენდერული სტერეოტიპების დამკვიდრებას.

3. მეორე მსოფლიო ომის პიარტექნოლოგიები – მეორე მსოფლიო ომის პიარტექნოლოგიებიდან ყურადღებას იპყრობს პროპაგანდისტული იდეოლოგია ,როგორც საბჭოთა კავშირის, ასევე ნაცისტური გერმანიის მხრიდან. რეკლამები, მხატვრული ფილმები, პოსტერები. ეორე მსოფლიო ომის დროს ბრენდები საომარ მდგომარეობასთან მორგებას ცდილობდნენ და იმდროინდელი შემოქმედება მთლიანად ომის თემაზე იყო აწყობილი, იქნებოდა ეს სტომატოლოგიური მომსახურება, სიგარეტის რეკლამა თუ კოსმეტიკა.

4. დისკურსიული პარადიგმები, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმა – განსჯის ნიმუშები და ფორმები(მხატვრული, პუბლიცისტური) საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას უწყობს ხელს; მკითხველს, მსმენელს ეხმარება განსხვავებული პოზიციების გაცნობით მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება.

5. მწერლის დისკურიული დიალოგი, როგორც პიარფაქტორი – მწერლის დიალოგის მთავარი ხიბლი გამორჩეული განსჯა, გარესამყაროს მისეული აღქმა და მხატვრული აზროვნების ფორმებია, რომლებიც საზოგადოებასთან ურთიერთობისათვის ეფექტური და ეფექტიანი ფაქტორი ხდება.

6. ინფორმაციული ომი: ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების პარამეტრები– როდესაც ვლაპარაკობთ ევროკავშირის ინტერესებზე, ეს არის შეჯერებული თვალთახედვა ბრიუსელიდან. თუმცა ამის სიმძაფრის აღქმა ევროკავშირის სხვადასხვა კუთხეში განსხვავებულია. იტალია-ესპანეთი-პორტუგალია მძაფრად არ აღიქვამს ჩვენთან (საქართველოსთან) ურთიერთობას, რადგან მისი სამეზობლო არის სამხრეთი. შესაბამისად, პოლონეთის და ბალტიისპირეთისათვის სამეზობლო არის აღმოსავლეთ პარტნიორების ქვეყნები. ამიტომ მათთან ჩვენ ბევრი ახსნა არ გვჭირდება, რადგან ბუნებრივი პარტნიორები არიან და საერთო ინტერესები გვაქვს

7. მწერლობის არსის წვდომის დისკურსიული პარადიგმები, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმა – საკითხი განხილულია უილიამ ფოლკნერის საჯარო გამოსვლების მიხედვით. ნობელიანტი მწერლის აზრი მწერლობის შესახებ დღესაც აქტუალური და გასათვალისწინებელია.

დანართი

ნათელა დონაძე

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: **სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტი**

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: იაგო კაჭკაჭიშვილი

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორი ამირან ბერძენიშვილი,

პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი,

ასოცირებული პროფესორი ნინო დურგლიშვილი,

ასოცირებული პროფესორი თამარ მახარაძე,

ასოცირებული პროფესორი ლია წულაძე,

ასოცირებული პროფესორი კახა ქეცბაია,

ასოცირებული პროფესორი ლელა გაფრინდაშვილი,

ასოცირებული პროფესორი მარინა ბურძენიძე,

ასოცირებული პროფესორი ნათელა დონაძე,

ასოცირებული პროფესორი თამარ საბედაშვილი,

ასისტენტ-პროფესორი შორენა თურქიაშვილი,

ასისტენტ-პროფესორი თეონა მატარაძე,

ასისტენტ-პროფესორი სალომე ნამიჭეიშვილი,

ასისტენტ-პროფესორი ზურაბ ტატანაშვილი.

II. 1. პუბლიკაციები:
ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	ნათელა დონაძე	"თანამედროვე ქართული სოციალური ინსტიტუტები სტუდენტურ ფოკუსში," სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა 2	ISBN 978-9941-13-434-0 ISSN 2346-7959, ნომერი 2, 2015	თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა,	16 გვ.

ანოტაციები ქართულ ენაზე

სტატიაში წარმოდგენილია სტუდენტების, სოციალური აგენტების, შეხედულებები თანამედროვე ქართული საზოგადოების და კერძოდ, სოციალური ინსტიტუტების შესახებ. სტატია ეფუძნება კვლევას, რომელშიც გამოყენებულ იქნა ტრიანგულაციური მიდგომა: ავირჩიეთ ნახევრად სტრუქტურირებული, არაფორმალური ინტერვიუ და ფოკუს ჯგუფი. კვლევაში სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლები თანამედროვე, გარდამავალი პერიოდის საქართველოს შეფასების დროს ავლენენ როგორც შემეცნებით, ასევე შეფასებით დამოკიდებულებას. შეფასებით დამოკიდებულებას, როგორც წესი, თან ახლავს გარკვეული სუბიექტივიზმი. სტუდენტები როგორც დამოუკიდებელი ინდივიდები და განსხვავებული ღირებულებების, ღირებულებათა სისტემისა და ღირებულებათა იერარქიის მქონე პიროვნებები, ბუნებრივია სხვადასხვა ინტერპრეტაციას აძლევენ ერთსა და იმავე სოციალურ ინსტიტუტებს.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
	მირან ბერძენიშვილი, ნათელა დონაძე	"სქესლური სოციალურობა ინფორმაციულ საზოგადოებაში"	III საერთაშორისო კონფერენცია, "სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა" თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 25 ივნისი, 2015 წელი

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

ინტერნეტიდღეს, XXI საუკუნის II ათწლეულში, მთელ მსოფლიოში სოციალური ურთიერთობის დამყარების ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა. ინფორმაციული საზოგადოების წარმოშობამ პიროვნება იმ მრავალ მინი, ყოველდღიური აქტივობისა და ცრურწმენებისგან გაათავისუფლა, რომლებიც ტრადიციული ურთიერთობების დროს იჩენს თავს. ინტერნეტი სივრცის „ნაკლს“ ამცირებს - გარკვეულ დისტანციაზე ურთიერთობის დასამყარებლად დრო და ფულია საჭირო - რაც ტექნოლოგიებისა და ურბანული გარემოს დამსახურებაა (მაგალითად, მატარებელი, ავტომობილი და ტელეფონი). ამ „ნაკლის“ გამოსწორებით ჩვენთვის სამყაროს დიდი ნაწილი - ჰეტეროგენული მოსახლეობა - ხელმისაწვდომი ხდება, რაც უფრო აადვილებს იმ ურთიერთობების დამყარებას, რომლებიც ადრე შეუძლებელი იყო. დღეს სოციალური კავშირების მოსაძიებლად და დასამყარებლად არა საერთო საცხოვრებელი ტერიტორია, არამედმხოლოდ საერთო ინტერესებია საჭირო.

ჩვენ ინტერნეტს, როგორც სოციალური ურთიერთობის განვითარების ერთ-ერთ საშუალებას, პრივილეგიას ვანიჭებთ. ინტერნეტის გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში მოცემულ სოციალურ კონტექსტში ინფორმაციული საზოგადოების დიფუზიის, ფორმისა და კულტურული სპეციფიკის დასადგენად კარგი ინდიკატორია. სოციალურ სტრუქტურას, სოციალურ მოქმედებასა და მნიშვნელობათა მინიჭებას შორის არსებული ურთიერთქმედება, რომელიც ინტერნეტის მეშვეობითაა დამყარებული, სოციალური ტრანსფორმაციის პროცესს გამოხატავს, რომელიც ინფორმაციულ - კომუნიკაციური ტექნოლოგიების, კულტურისა და საზოგადოების

ერთმანეთთან ინტერაქციის/ურთიერთქმედების შედეგია.
"ნაშრომში განხილულია ქართული ხალხური შელოცვების კვლევა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. შელოცვებში სიმბოლური მარკერებით ხორციელდება ზემოქმედება ავადმყოფზე. სელოცვებით იქმნება კომუნიკაციის სპეციფიურ ველი. შელოცვის ტექსტი და შესაბამისი რიტუალი ჩარევისთვის მნიშვნელოვანია. ტრანსული

მდგომარეობის აღსაწერად გამოყენებულია მილტონ ერიქსონის მოდელი, რომელშიც ვერბალურ მხარეს ექცევა ყურადღება. სიმბოლური მარკერები თანმდევია რიტუალური ცერემონიის და შეიცავს შემდეგს: სტიქიებს (ჰაერს, ცეცხლს, წყალს, რკინას), აგაროზებს, ტემპორალურ და პერიოდულ პროცესებს, განსხვავებული პროდუქტების და მცენარეების გამოყენებას სამკურნალოდ, ძირითად მოქმედებებს (შელოცვა სრულდება სიმღერით, იყენებენ სხვადასხვა სახის მოძრაობებს და ა.შ.). ეს სიმბოლური მარკერები ეხმარება შემლოცველს ავადმყოფის ტრანსულ მდგომარეობაში გადასაყვანად. შელოცვა თავისი შინაარსით შესაძლებელია ბუნდოვანი, ურთიერთგამომრიცხავი იყოს, მაგრამ ის ყოველთვის კავშირშია არაცნობიერთან. სწორედ ასეთ დროს გამოიყენება მაგიური სიტყვები, რომელიც ხელს უწყობს "კვლავდაბადებას" და ახალი ხედვის ჩამოყალიბებას საკუთარ თავზე და გარემოზე."

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
	რევაზ ჯორბენაძე, ნატა მეფარიშვილი	"ემპათიის როლი კომუნიკაციის პროცესში"	I I I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. "სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა – სოციალური და სივრცითი მობილობა" 25 – 27 ინვისი 2015, საქართველო, თბილისი. Iვანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ანოტაცია

"ნაშრომში განხილულია ემპათიის ცნების მეთოდოლოგიური, მეთოდური და პრაქტიკული მნიშვნელობა. ემპათიის ცნების გამოყენება სხვადასხვა ფსიქოლოგიური და ფსიქოკონსულტაციური თეორიის თვალთახედვითაა განხილული. კონკრეტულად კი კომუნიკაციის პროცესში კონსულტანტსა და კლიენტს შორის მიმართებები. ემპათია განხილულია, როგორც განცდა, გაგება და დამოკიდებულება. ემპათიური გაგება კრიტგიკულადაა შეფასებული ანუ როგორ ვწვდებით სხვის ემოციებს, გრძნობებს და რა სახით ავლენს ის თავს ურთიერთობაში. ასევე ყურადღება გამახვილებულია ემპათიის გავლენის შედეგზე და იმ პროცესზე, რომელიც ემოციური ატმოსფეროს შექმნას უწყობს ხელს."

დანართი

სალომე დუნდუა

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: **პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტი**

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: მალხაზ მაცაბერიძე

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე,

პროფესორი ალექსანდრე კუხიანიძე,

პროფესორი კორნელი კაკაჩია,

ასოცირებული პროფესორი ნანა მაჭარაშვილი,

ასოცირებული პროფესორი სალომე დუნდუა,

ასოცირებული პროფესორი გია ჟორჟოლიანი,

ასისტენტ-პროფესორი ზვიად აბაშიძე,

ასისტენტ-პროფესორი ვალერიან დოლიძე,

ასისტენტ-პროფესორი ავთანდილ ტუკვაძე,

ასისტენტ-პროფესორი ალექსანდრე წურწუმია.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№		ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ-ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	1.	სალომე დუნდუა	“სოციალური პოლიტიკა და თანამედროვე საქართველო”; კონფერენციის მასალების კრებული: მოქალაქე და სამოქალაქო ჩართულობა საქართველოში დამოუკიდებლობიდან 23 წლის შემდეგ		თბილისი, 2015	10

	2.	სალომე დუნდუა	“თანამედროვე საქართველოს სოციალური მოძრაობების ზოგიერთი ასპექტი” “მოქალაქე და სამოქალაქო განათლება პოსტსოციალისტურ სახელმწიფოებში”, საერთაშორისო კონფერენციის მასალები		თბილისი, 2015	19

1.	ანოტაციები ქართულ ენაზე მოცემულ სტატიაში მიმოხილულია თანამედროვე მსოფლიოში არსებული სოციალური სახელმწიფოს იდეის პრაქტიკული განხორციელებები. განხილულია სოციალური სახელმწიფოს იდეისადმი არსებული კრიტიკა - ნეოლიბერალური და კონსერვატორული დისკურსიდან გამომდინარე. სტატიაში სოციალური სახელმწიფოს რამდენიმე ძირითადი ატრიბუტის (კერძოდ: დემოკრატიის განვითარების ხარისხი, მაკროეკონომიკური განვითარება, სამოქალაქო სექტორის სიძლიერე, სახელმწიფოს სოციალურად ორიენტირებული პოლიტიკა და ა.შ) განხილვის მაგალითზე გაანალიზებულია ამ მხრივ საქართველოს რეალობა და პერსპექტივები.
2.	საქართველოში სოციალური მოძრაობების შესწავლა საკმაოდ ახალი თემაა, თუმცა მოცემული საკითხი დასავლურ სამეცნიერო წრეებში საკმაოდ პოპულარული და კარგად გაანალიზებულია. სტატიაში განხილულია სოციალური მოძრაობის არსი და მისი ტიპები. ძირითადად გაანალიზებულია საქართველოში განვითარებული სოციალური აქტივიზმის შემდეგი მიმართულებები: ისტორიული და კულტურული ძეგლების დაცვა; გარემოსდაცვითი აქტივობები; დაქირავებულთა უფლებების დაცვისკენ მიმართული აქტივიზმი; ამასთანავე, ერთმანეთისგან გამიჯნულია ე.წ. რურალური და ურბანული ტიპის აქტივიზმი და განხილულია თითოეული მათგანისთვის შესაბამისი შემთხვევები: ხუდონჰესისა და გუდიაშვილის სკვერის მაგალითებზე.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	სალომე დუნდუა	"სოციალური პოლიტიკა და თანამედროვე საქართველო";	თბილისი, თსუ I კორპუსი, 2015 წ.
2	სალომე დუნდუა	"თანამედროვე საქართველოს სოციალური მოძრაობების ზოგიერთი ასპექტი"	თბილისი, თსუ, I კორპუსი, 2015
3	სალომე დუნდუა	„ ეთიკურიდან სამოქალქო ნაციონაიზმამდე, საქართველოსმ პოლიტიკა 1990 წლიდან დღემდე"	2015 წლის 6-7 ივნისი, თსუ

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1. მოცემულ მოხსენებაში განვიხილეთ თანამედროვე მსოფლიოში არსებული სოციალური სახელმწიფოს იდეის პრაქტიკული განხორციელებები. განხილულია სოციალური სახელმწიფოს იდეისადმი არსებული კრიტიკა - ნეოლიბერალური და კონსერვატორული დისკურსიდან გამომდინარე. სტატიაში სოციალური სახელმწიფოს რამდენიმე ძირითადი ატრიბუტის (კერძოდ: დემოკრატიის განვითარების ხარისხი, მაკროეკონომიკური განვითარება, სამოქალაქო სექტორის სიძლიერე, სახელმწიფოს სოციალურად ორიენტირებული პოლიტიკა და ა.შ) განხილვის მაგალითზე გაანალიზებულია ამ მხრივ საქართველოს რეალობა და პერსპექტივები.

2. საქართველოში სოციალური მოძრაობების შესწავლა საკმაოდ ახალი თემაა, თუმცა მოცემული საკითხი დასავლურ სამეცნიერო წრეებში საკმაოდ პოპულარული და კარგად გაანალიზებულია.

მოხსენებაში განვიხილეთ სოციალური მოძრაობის არსი და მისი ტიპები. ძირითადად

გაანალიზებულია საქართველოში განვითარებული სოციალური აქტივიზმის შემდეგი მიმართულებები: ისტორიული და კულტურული ძეგლების დაცვა; გარემოსდაცვითი აქტივობები; დაქირავებულთა უფლებების დაცვისკენ მიმართული აქტივიზმი; ამასთანავე, ერთმანეთისგან გამიჯნულია ე.წ. რურალური და ურბანული ტიპის აქტივიზმი და განხილულია თითოეული მათგანისთვის შესაბამისი შემთხვევები: ხუდონჰესისა და გუდიაშვილის სკვერის მაგალითებზე.

3. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 24 წლის შემდეგაც კი ძნელია საქართველოს პოლიტიკურ და საჯარო დისკურსს ფართო საზოგადოებივ მონაწილეობზე დაფუძნებული კონსოლიდირებული, პლურალისტური კულტურა ვუწოდოთ. კომუნიზმის მარცხის შემდეგ სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემებთან ერთად თავი გარკვეული ტიპის რელიგიურ - ეთნიკურმა პრობლემებმაც იჩინა. არცთუ მძლავრი დემოკრატიული ინსტიტუტები ვერ ახერხებენ საზოგადოების ერთიან, სამოქალაქო ერთობად ტრანსფორმირებას და, შესაბამისად, ეთნიკური ნაციონალიზმის ნაცვლად სამოქალაქო ნაციონალიზმის წარმოქმნას.

სამოქალაქო ნაციონალიზმსა და სამოქალაქო ერის ცნებაზე საუბრისას, ძირითადად, შემდეგ პრინციპებს გამოყოფენ: ა) ეთნიკური, რელიგიური, რასობრივი და სხვა ტიპის იდენტობების მეორე პლანზე მოქცევა და იდენტობის მოქალაქეობის ცნებაზე დაფუძნება. ბ)საერთო სოციალურ-ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბება, სადაც მოქალაქეებს გაუჩნდებათ ინტეგრირებულობის განცდა და საკუთარ თავს მოიაზრებენ მის შემქმნელ, მამოძრავებელ ძალად. გ) ლოიალობა სახელმწიფოსადმი, როგორც ერის ინტერესების დამცველი ორგანიზმისადმი; სახალხო სუვერენიტეტის კონცეფციის პრაქტიკული რეალიზების შესაძლებლობა.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	სალომე დუნდუა	1. სოციალური სახელმწიფოს მშენებლობა: საქართველოს მაგალითი	2015 წლის 19 ნოემბერი, პრაღა
2.	სალომე დუნდუა	"კულტურული მრავალფეროვნება საქართველოში:	2015 წლის 20-21 ნოემბერი, პრაღა

		პრობლემები და პერსპექტივები”	
3.	სალომე დუნდუა	“მუსლიმი ქართველები და ინტეგრაციის პროცესი: მეფის რუსეთიდან დღემდე”	2015 წლის 26-29 აგვისტო, ვილნიუსი

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1. საერთაშორისო კონფერენცია სახელწოდებით „სახელმწიფო და სახელმწიფოს შესაძლებლობები, დემოკრატია და განვითარება“ ჩატარდა ჩეხეთში, ქალაქ პრაღაში, 2015 წლის 19 ნოემბერს. ჩემი მოხსენების სათაური იყო „სოციალური სახელმწიფოს მშენებლობა: საქართველოს შემთხვევა“. მიმდინარე წლის მანძილზე ჩემი სამეცნიერო კვლევა ეხებოდა საქართველოში სოციალური სახელმწიფოს მშენებლობის იდეას, რომლის საფუძველზეც იქნა აღნიშნული საკონფერენციო მასალა მომზადებული.

2. მულტიკულტურალიზმის იდეა მეოცე საუკუნის მსოფლიოში პოპულარობით სარგებლობს. მოცემული იდეის გარშემო არსებული სხვადასხვა შეხედულების მიუხედავად, თანამედროვე მსოფლიოში ყველა თანხმდება იმაზე, რომ დღეს სახელმწიფოთა დიდ ნაწილს სწორედ მულტიკულტურალიზმის პირობებში უწევს ცხოვრება. მოცემული იდეა კიდევ უფრო აქტუალური გახდა უკანასკნელი მოვლენების ფონზე: სირიის ომი და ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენები, ლტოლვითა ნაკადის ზრდა ევროპაში და ა. შ.

მულტიკულტურალიზმი, როგორც იდეა, საქარათველოშიც გავრცელებულია, თუმცა ის არასდროს ყოფილა ისეთივე პოპულარული, როგორც ეს მაგალითად დასავლეთ ევროპულ ქვეყნებში.

საქართველო რეალურად, მრავალკულტურული სახელმწიფოა, რომელშიც სხვადასხვა ეთნო-რელიგიური თემები ერთმანეთის გვერდი-გვერდ თანაცხოვრობს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქვეყანამ სხვა ბევრ პრობლემასთან ერთად ეთნო რელიგიური კუთხით არსებული ურთიერთუნდობლობაც მიიღო. საქართველოს თუ სურს რომ ააშენოს ჭეშმარიტად დემოკრატიული და ლიბერალური, ევროპული ტიპის სახელმწიფო - მას მოუწევს არსებული ეთნო-რელიგიური მრავალფეროვნების შესაბამისად, სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარება, რა მიმართულებითაც უკვე გადაიდგა არაერთი ნაბიჯი, თუმცა მოცემული

პოლიტიკა ჯერაც არაა თანმიმდევრული სახის, რაც ბუნებრივია, რელიგიური და ეთნიკური კუთხით დაახლოებისა და ინტეგრაციის სტრატეგიას გარკვეულ წინაღობებს უქმნის.

3. მე-19 საუკუნეში ილია ჭავჭავაძის თაოსნობით წარმოქმნილ თანამედროვე ერის დისკურსში, მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ქართველის ერის, როგორც ეთნო-კულტურული წარმონაქმნის საზღვრების დადგენა და შემდგომში მის საფუძველზე პოლიტიკური ავტონომიის ან უკეთეს შემთხვევაში დამოუკიდებლობის მიღწევა.

"...ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი... ჩვენი ძველი საქართველო, დღეს ჩვენ შემოგვიერთდა" – ასე გამოეხმაურა ილია ჭავჭავაძე 1877-1878 წლების რუსეთ საქართველოს ომის შედეგად აჭარის საქართველოსთვის დაბრუნების ფაქტს. მიუხედავად იმისა რომ აღნიშნულ მოვლენამ საყოველთაო სიხარული გამოიწვია მაშინდელ ქართულ საზოგადოებაში და პრაქტიკულად არ დარჩენილა არცერთი ქართველი ინტელექტუალი, რომელიც ამ მოვლენას არ გამოხმაურებოდა, რეალობა არც ისე მარტივი აღმოჩნდა.

სან სტეფანოს საზავო ხელშეკრულების შემდეგ საქართველოს შემოერთებული ძირძველი ქართული ტერიტორიები თუმცა ეთნიკურად ქართველი (აჭარელი), მაგრამ რელიგიური მრწამსით კი მუსლიმი მოსახლეობით იყო დასახლებული. რომლის ქართველ მოსახლეობასთან ინტეგრირება და „ერთ ერად" აღქმადობის განცდის ჩამოყალიბების პროცესი საკმაოდ რთული და ხანგრძლივი აღმოჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში ფორმალიზებულ, სამართლებრივ დონეზე რელიგიურ (ისევ როგორც ეთნიკურ) უმცირესობებს სრული და თანასწორი უფლებები მიენიჭათ, რეალობა ცოტა სხვაგვარი იყო. კვლავაც მტკივნეულ საკითხად რჩებოდა აჭარაში მოსახლე ეთნიკურად ქართველი მუსლიმი მოსახლეობის დანარჩენ ქართველებთან ინტეგრირება. ამ პრობლემის აქტუალობაზე მიუთითებდა ის ფაქტიც, რომ ჯერ კიდევ კონსტიტუციის მიღებამდე ერთი წლით ადრე, 1920 წლის სექტემბერში „მახმადიანი ქართველების" მდგომარეობის შესასწავლად და რეკომენდაციების შესამუშავებლად რეგიონში სპეციალური მისიით იქნა მივლინებული დამფუძნებული კრების ერთ-ერთი აქტიური წევრი, სოციალ დემოკრატი პეტრე გელეიშვილი. მის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის სახელზე დაწერილ მოხსენებით ბარათში ჩამოთვლილი და გაანალიზებულია ყველა ის მთავარი პრობლემა რაც აჭარის „მახმადიანი ქართველების" დანარჩენ

ქართველებთან ინტეგრაციასა და ერთიანი სახელმწიფოებრივი თვითშეგნების ჩამოყალიბებას უშლიდა ხელს.

საქართველო დღემდე რჩება ეთნო-კონფესიური თვალსაზრისით მრავალწევრიან და ფრაგმენტირებული ქვეყანად, სადაც კვლავაც არ ან ნაკლებად არსებობს იმგვარი საჯარო სივრცე, რომელიც ქვეყნის ტერიტორიაზე მაცხოვრებელ ყველა კონფესიურ ჯგუფს მოცემული სახელმწიფოს მიმართ ლოიალობას და მისი თანაზიარობის შეგრძნებას გაუჩენდა. დღემდე რჩება პრობლემა რელიგიური უმცირესობების საჯარო და საზოგადოებრივ სივრცეში სრულფასოვანი ინტეგრაციისა.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
	გარემოსდაცვითი სოციალური მოძრაობები საქართველოში (პოლიტიკის მეცნიერება)	სალომე დუნდუა	თამარ ქარაია, ეკა დარბაიძე, ქეთი მურუსიძე გიორგი მუნჯიშვილი ნიკა ჩერქეზია	თსუ შიდა საფაკულტეტო გრანტი, ადგილობრივი
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე) პროექტის დასრულების პროცესშია				

დანართი

ფიქრია ასანიშვილი

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: **საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი**

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ზურაბ დავითაშვილი

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორი ზურაბ დავითაშვილი,

ასოცირებული პროფესორი ფიქრია ასანიშვილი,

ასოცირებული პროფესორი თორნიკე თურმანიძე,

ასოცირებული პროფესორი სერგი კაპანაძე,

ასისტენტ-პროფესორი ეკა აკობია,

ასისტენტ-პროფესორი სოფიო პეტრიაშვილი,

ასისტენტ-პროფესორი დავით მაცაბერიძე.

II. 2. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	Benyamin Poghosyan Arsen Avagyan Mikayel Avetisyan Phikria Asanishvili, Ketevan Chumbadze Irine Osepashvili	Armenian – Georgian Relations: Challenges and Opportunities for the Bilateral Cooperation	YEREVAN POLITICAL SCIENCE ASSOCIATION OF ARMENIA 2014 ISBN 978-9939-1-0051-7	110
კრებულში განხილულია სომხეთ საქართველოს ორმხრივი თანამშრომლობის თავისებურებები, გამოწვევები და პერსპექტივები. მიმოხილულია, როგორც ისტორიული კონტექსტი, ისე თანამედროვეობა. კრებული მოიცავს სომხეთ საქართველოს ორმხრივი ურთერთობების შემდეგ ასპექტებს: რეგიონული უსაფრთხოება, საგარეო პოლიტიკის ვექტორები და სამოქალაქო საზოგადოება				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებუ-ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Phikria Asanishvili	“European” Aspiration and “anti Russian” behavior in	Eurasiatica Quaderni di studi su Balcani, Anatolia, Iran, Caucaso e Asia	Venezia Edizioni Ca’ Foscari - Digital Publishing 2016	12

2	Phikria Asanishvili	State Policy of Georgia - cultural Identity or strategy for survival?	Centrale. # 5	ISBN 978-88-6969-048-8 (ebook) ISBN 978-88-6969-050-1 (print)	10
	Phikria Asanishvili	Konflikt w Karabachu i jego wpływ na bezpieczeństwo regionu Zakaukazia" (w tłumaczeniu - M. Dębowicza)	"Konflikty etniczne i wyznaniowe a funkcjonowanie systemუw bezpieczeństwa narodowego. Wybrane aspekty", pod red. Elżbiety Szyszlak i Tomasza Szyszlaka, Krakow 2015		
	Phikria Asanishvili	**Importance of European Union in foreign policy of Georgia after crises in Ukraine**	"Wschodnioznawstwo" N 12 2015	Uniwersytet Wroclawski 2015 (ISSN 2082-7695).	13

1. სტატია ეხება საქართველოს საგარეო პოლტიკის პრო ევროპული ვექტორის მნიშვნელობას. გაანალიზებულია საქართველო რუსეთის რთული და წინააღმდეგობრივი ურთიერთობები, როგორც ისტორიულ კონტქესტში ისე თამანედროვე ურთიერთობებში. სტატიაში განხილულია საერთაშორისო ურთიერთობების 2 თეორიის კონსტრუქტივიზმისა და თავდაცვითი რეალიზმის სკოლები და დასაბუთებულია, რომ საქართველოს ევროპული არჩევანი განპირობებულია არა მდენად იდენტობის საკითხებით (კონსტრუქტივიზმი), რამდენადაც რუსეთისაგან არსებული და მოსალოდნელი მუქარებისაგან თავის დასაცავად და მშვიდობიან, პროგრესულ და მეგობრულ სივრცეში შესასვლელად, საიდანაც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და ეროვნულ უსაფრთხოებას საფრთხე არ ემუქრება. (თავდაცვითი რეალიზმი)

2. სტატია ყარაბაღის კონფლიქტი და მისი გავლენა სამხრეთ კავკასიის რეგიონულ უსაფრთხოებაზე, ეხება ყარაბაღის კონფლიქტის გადაუჭრელობის მიზეზებს. განხილულია კონფლიქტის გავლენა სომხეთ აზერბაიჯანის ორმხრივ ურთერთობებზე და სამხრეთ კავკაისის რეგიონულ უსართხეობაზე.

3. სტატია ევროკავშირის მნიშვნელობა საქართველოს საგარეო პოლტიკაში უკრაინის კრიზის შემდგეგ ეხება საქართველოს ეროპული ექტორის გარდაუვალობასა და აუცილებლობას. სწვე თავად საქართველოს მნისვნელობას ევროკავშიირსათვის.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
	ფიქრია ასანიშვილი	შავი ზღვის რეგიონი და ევროპის სტაბილურობის რისკები აგვიტოს ომისა და უკრაინის კრიზის შემდეგ	III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა. -სოციალური და სივრცითი მობილობა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტი. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. 25-27 ივნისი 2015 წელი თბილისი
მოხსენება ეძღვნებოდა შავი ზღვის რეგიონის მნიშვნელობასა და რეგიონული უსაფრთხოების გამოწვევებს ყირიმის ანექსიის შემდეგ. განხილული იყო ის საფრთხეები, რის წინაშეც დადგა ნატო შავი ზღვის სივრცეში ყირიმის უკრაინის იურისდიქციიდან იძულებითი გასვლითა და რუსეთის კონტროლით შავი ზღვის აქვატორიაში, როდესაც ყირიმის ანექსიით ამ ქვეყანამ შავი ზღვის სივრცითი მოცულობა და კონტროლი საგრძნობლად გაზარდა და საფრთხე შეუქმნა არა მარტო თურქეთის ძლიერებას შავ ზღვაზე, არამედ ნატოსაც.			

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
	Phikria Asanishvili	Importance of European Union in the Foreign Policy of Georgia.	Warsaw East European conference 2014
	Phikria Asanishvili	Historical and Modern dimension of bilateral relations of Georgia and Armenia. Conference- Armenia. Una civiltà di frontiera.	11.11. 2014 University Ca Foscari, Venezia
	Phikria Asanishvili	Perception of Europe in historical and political discourse of Georgia and its influence over foreign policy	UNIVERSITA DEGLI STUDI DI BERGAMO Piazzale S. Agostino, 1 – Città Alta – SALA CONFERENZE. 20-21

	Phikria Asanishvili	Ricerche italiane sull'Asia e sul Caucaso Kharabakh conflict and its impact over South Caucasus Regional Security	Novembre 2014 University of Wroclaw , Institute of International Relations. Wroclaw, Poland. May 27-29. 2015

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
	Armenian – Georgian Relations: Challenges and Opportunities for the bilateral cooperation. სომხეთ საქართველოს ურთიერთობები: გამოწვევები და შესაძლებლობები ორმხრივი ურთიერთობებისთვის. პოლიტიკური მეცნერებები და საერთაშორისო ურთიერთობები	სომხეთის პოლიტიკურ მეცნერებათა ასოციაცია სომხეთი. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. თბილისი საქართველო 2014 წელი	ბენიამინ პოღოსიანი ისტრიის მეცნერებათა დიქტორი. სომხეთის პოლიტიკურ მეცნერებათა ასიციაციის აღმასრულებელი დირექტორი. არსენ ავაგიანი ისტორიის მეცნერებათა დოქტორი. ერევნის სახელწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთერთობების დეპარტამენტის პროფესორი. მიქაელ ავეტისიანი პოლიტიკის მეცნერებათა დოქტორი. სომხეთის პოლიტიკურ	ფრიდრიხ ებერტის ფონდი.

			მეცნერებათა ასიციაციის მეცნიერ თანამშრომელი ფიქრია ასანიშვილი პოლიტიკს მეცნიერებათა დოქტორი. თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიიტკურ მეცნერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. ქეთევან ჭუმბაძე მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების სახელწიფო ინსიტუტის მაგისტრი. (MGIMO) ირინე ოსეფაშვილი ოსლოს უნივერსიტეტის მაგისტრი მშვიდობისა და კონფლიქტების კვლევებში. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მკვლევარი	
კვლევითი პროექტის მიზანი იყო გამოეკვლია სომხეთ საქართველოს ორმხრივი ურთიერთობების დინამიკა და ხასიათი. უსაფრთხოების, საგარეო პოლიტიკისა და სამოქალაქო ურთერთობების განზომილებები.				

დანართი

შორენა თურქიაშვილი

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: **სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტი**

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: იაგო კაჭკაჭიშვილი

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორი ამირან ბერძენიშვილი,

პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი,

ასოცირებული პროფესორი ნინო დურგლიშვილი,

ასოცირებული პროფესორი თამარ მახარაძე,

ასოცირებული პროფესორი ლია წულაძე,

ასოცირებული პროფესორი კახა ქეცბაია,

ასოცირებული პროფესორი ლელა გაფრინდაშვილი,

ასოცირებული პროფესორი მარინა ბურძენიძე,

ასოცირებული პროფესორი ნათელა დონაძე,

ასოცირებული პროფესორი თამარ საბედაშვილი,

ასისტენტ-პროფესორი შორენა თურქიაშვილი,

ასისტენტ-პროფესორი თეონა მატარაძე,

ასისტენტ-პროფესორი სალომე ნამიჭეიშვილი,

ასისტენტ-პროფესორი ზურაბ ტატანაშვილი.;

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
	თანამედროვე ქართული საზოგადოების ცხოვრების წესი და განვითარების პერსპექტივა, სოციალური მეცნიერებები, სოციოლოგია	ნინო დურგლიშვილი	ამირან ბერძენიშვილი, მარინა ბურძენიძე, ნათელა დონაძე, შორენა თურქიაშვილი, თეონა მატარაძე,	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მიზნობრივ სამეცნიერო-

			მარინა ქევხიშვილი, ილონა გოგია, ნინო ამონაშვილი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 3 მაგისტრანტი და 21 ბაკალავრიატის სტუდენტი	კვლევითი პროგრამის ფარგლებში შემოსული პროექტი

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

ცხოვრების წესი, როგორც ზოგადი სოციალური კატეგორია, ობიექტური (ცხოვრების პირობები, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი გარემო/მდგომარეობა და ა. შ.) და სუბიექტური (ატიტუდები/დამოკიდებულებები, პრეფერენციები, ღირებულებითი ორიენტაციები, მოლოდინები და სხვა) ასპექტების სისტემას წარმოადგენს.

პირველ ეტაპზე მოძიებულ იქნა სამეცნიერო ლიტერატურა და კვლევითი ანგარიშები, რომლებიც ეხებოდა ზოგადად საზოგადოების და კონკრეტულად კი ქართული საზოგადოების ცხოვრების წესს. ჯგუფის წევრებმა მათი კვლევითი ინტერესების მიხედვით შეადგინეს სხვადასხვა თემატური ბლოკები. სტრატიფიცირებული კლასტერული შერჩევის დიზაინის გამოყენებით საქართველოს მასშტაბით გამოკითხულ იქნა 1060 ადამიანი.

მას შემდგომ, რაც მონაცემთა ბაზა გაიწმინდა, მონაცემები გადაეცა პროექტში ჩართულ თითოეულ მკვლევარს. რომლებიც თავიანთი ბლოკების მიხედვით ახორციელებდნენ მონაცემთა სტატისტიკურ და სოციოლოგიურ ანალიზს. ანალიზის დროს გამოყენებულ იქნა როგორც აღწერითი სტატისტიკა, ასევე ახსნითი და მოხდა მონაცემების გაანალიზება სხვადასხვა სოციოლოგიური თეორიის ჩარჩოებში.

თანამედროვე ქართული საზოგადოების ცხოვრების წესის კვლევამ საშუალება მოგვცა:

ა) გამოვავლინეთ ფაქტორები, რომლებიც საზოგადოების განვითარებაზე ზემოქმედებს;

ბ) შევაფასეთ ამ ფაქტორების ზემოქმედების როლი (ხელშემწყობი/ხელშემშლელი) და ხარისხი;

გ) განვახორციელეთ მომავლის ალტერნატივათა მოდელირება და შევიმუშაოთ რეკომენდაციები.

დანართი

ხათუნა კაჭარავა

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: **ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტი**

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ნინო ჭალაგანიძე

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორი მარიამ გერსამია,

პროფესორი დალი ოსეფაშვილი,

ასოცირებული პროფესორი მარი წერეთელი,

ასოცირებული პროფესორი მანანა შამილიშვილი,

ასოცირებული პროფესორი ირა ბიჭიკაშვილი,

ასოცირებული პროფესორი რუსუდან ვაშაკიძე,

ასოცირებული პროფესორი ნათია კუპრაშვილი,

ასოცირებული პროფესორი ნანული ტალახაძე,

ასოცირებული პროფესორი მაია ტორაძე,

ასოცირებული პროფესორი თამაზ ჯოლოგუა,

ასისტენტ-პროფესორი თამარ ბელქანია,

ასისტენტ-პროფესორი ხათუნა კაჭარავა,

ასისტენტ-პროფესორი მარინე ლომიძე,

ასისტენტ-პროფესორი მაგდა მემანიშვილი,

ასისტენტ-პროფესორი თეა მჟავანაძე,

ასისტენტ-პროფესორი ნინო ჭალაგანიძე

ასისტენტ-პროფესორი ხათუნა მაისაშვილი.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	ხათუნა კაჭარავა მარინა ლომიძე	ამერიკული ტოკ შოუ და მისი ქართული ანალოგები	ამერიკის შესწავლის ცენტრის საერთაშორისო კონფერენციის მასალათა კრებული, თსუ გამომცემლობა	8

ანოტაციები ქართულ ენაზე

ტოქშოუ დისკუსიაა მოწვეული სტუმრის /სტუმრების მონაწილეობით (ლაპარაკი; ჩვენება) ანუ „სალაპარაკო გადაცემა".

დასავლეთში 1960-იანი წლებიდან დღემდე არაერთი ტოქშოუ შეიქმნა. მათი დიდი ნაწილი, ქართული ტელესივრცის პროდუქციისგან განსხვავებით, არ არის პოლიტიკური და უფრო მეტად შემეცნებით-გასართობ ხასიათს ატარებს. უცხოური ტოქშოუს 50-წლიანი ისტორიის მანძილზე უცვლელი დარჩა ფორმატი (წამყვანი, სტუმარი და დარბაზი), მაგრამ შეიცვალა ხარისხი და ტოქშოუმ საკაბელო არხებიდან ნაციონალურზე გადაინაცვლა. მას დღეისათვის ელექტრონულ მედიაში ერთ-ერთი პირველი პოზიცია უკავია.

ტოქშოუები უცხოეთში ყოველდღიურად გადაიცემა მთელი დღის მანძილზე. ყველა არხი, სადაც ტოქშოუ გადის, ცდილობს თავისი აუდიტორიის მიზიდვას და ძირითადად შოუმენს წარმოაჩენს. მნიშვნელობა არა აქვს, მათი იმიჯი ნამდვილია თუ შექმნილი. წამყვანის როლი დიდია, გადაცემები – პერსონიფიცირებული.

ტოქშოუ დემოკრატიული სატელევიზიო ჟანრია. იგი მაყურებელს არჩევნის შესაძლებლობას აძლევს და გადაცემის მონაწილეების განსხვავებულ მოსაზრებებს სთავაზობს.

ტოქშოუ სამაუწყებლო კომპანიას საშუალებას აძლევს კონკრეტული საკითხების განხილვით ხელი შეუწყოს პრობლემის წვდომას, მის კომპეტენტურად განხილვას ფართო საზოგადოების ჩართვით.

საზოგადოება, რომელიც მრავალი გამოწვევის წინაშე დგას, ნამდვილად ესაჭიროება საზოგადოებრივი ინტერესის ამსახველი პროფესიული სტანდარტით შექმნილი ტოქშოუ. ისეთი „სალაპარაკო გადაცემა", რომელიც სრულად გამოხატავს საზოგადოების ფართო წარმომადგენლობის თვალსაზრისს, მაყურებელს მიაწვდის სრულყოფილ ინფორმაციას, გაარკვევს პრობლემის არსში და გონივრული გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარება.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
	ხათუნა კაჭარავა	"ტაიმსი" უძველესი თანამედროვე ბრენდი	19-21.10.2015, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი ევროაზიური მულტიდისციპლინარული ფორუმი

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

უძველესი ბრიტანული გამოცემა "ტაიმსი" XXI საუკუნეშიც არ ღალატობს თავის პრინციპებს. ისეთ რესპექტაბელურ გაზეთსაც კი როგორიც "ტაიმსია" მუდმივად უხდება ბრძოლა თვითდამკვიდრებისათვის, გაზეთმა უნდა შეძლოს გაითვალისწინოს საზოგადოების გემოვნება იყოს თანამედროვე.

"ტაიმსი" 1785 წელს დაარსდა და პირველი გაზეთია, რომელმაც ეს სათაური

აირჩია.
1981 წელს “ტაიმს” მძიმე პერიოდი დაუდგა, ის მკითხველსა და სარეკლამო შემოსავლებს კარგავდა. “ტაიმსი” რუპერტ მერდოკმა “სანდი ტაიმსთან” ერთად შეიძინა და გაზეთის მოდერნიზაცია დაიწყო, მან ბრიტანეთის საგაზეთო ინდუსტრია შუასაუკუნეობრივი სიბნელისგან იხსნა და გაზეთი კვლავ ყველაზე პოპულარულ ბრენდად აქცია.
“ტაიმსი”, რომელმაც ბეჭდურ მედიას დაუდო სათავე ყველაზე ტრადიციულ და თანამედროვე მედიაბრენდად რჩება.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)

IV. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
	ქართული ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის ინსტიტუტი მოგზაურობა ევროპაში სულხან-საბა ორბელიანის კვალდაკვალ 300 წლის შემდეგ	პაატა ნაცვლიშვილი	ხათუნა კაჭარავა კოორდინატორი	გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

პროექტი მოგზაურობა ევროპაში სულხან-საბა ორბელიანის კვალდაკვალ 300 წლის შემდეგ ისტორიული სინამდვილის გაცოცხლების და ევროპასთან ინტეგრაციის მიზნით ხორციელდება. შედგენილია მოგზაურობის მარშრუტი, იტალიის და საფრანგეთის საელჩოების მეშვეობით დაგეგმილია შეხვედრების ნუსხა, პროექტისათვის შექმნილია სპეციალური მედალი, ფერწერული ტილოები, გამოცემულია ბროშურა. მოგზაურობის პირველი ეტაპი წარმატებით დასრულდა, მიმდინარეობს მეორე ეტაპის მოსამზადებელი სამუშაოები.

დანართი

ხათუნა მაისაშვილი

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: **ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტი**

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ნინო ჭალაგანიძე

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორი მარიამ გერსამია,

პროფესორი დალი ოსეფაშვილი,

ასოცირებული პროფესორი მარი წერეთელი,

ასოცირებული პროფესორი მანანა შამილიშვილი,

ასოცირებული პროფესორი ირა ბიჭიკაშვილი,

ასოცირებული პროფესორი რუსუდან ვაშაკიძე,

ასოცირებული პროფესორი ნათია კუპრაშვილი,

ასოცირებული პროფესორი ნანული ტალახაძე,

ასოცირებული პროფესორი მაია ტორაძე,

ასოცირებული პროფესორი თამაზ ჯოლოგუა,

ასისტენტ-პროფესორი თამარ ბელქანია,

ასისტენტ-პროფესორი ხათუნა კაჭარავა,

ასისტენტ-პროფესორი მარინე ლომიძე,

ასისტენტ-პროფესორი მაგდა მემანიშვილი,

ასისტენტ-პროფესორი თეა მჟავანაძე,

ასისტენტ-პროფესორი ნინო ჭალაგანიძე

ასისტენტ-პროფესორი ხათუნა მაისაშვილი.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	ხათუნა მაისაშვილი, ლია ტოკლიკიშვილი, მაია გოგოლაძე	აფხაზური საკითხი ქართული პრესის დღის წესრიგში. 2002-2010 წლები.	თბილისი. გამომცემლობა "შემოქმედი ანგელოზი"	196 გვ.

ანოტაციები ქართულ ენაზე

ეყრდნობა რა ოთხი ქართული გაზეთის (“კვირის პალიტრა”, “რეზონანსი”, “ახალი 7 დღე” და “24 საათი”) სხვადასხვა საკვლევი მეთოდით განალიზებულ შინაარსს, მონოგრაფია პოლიტიკური და მედიური დისკურსის თანამედროვე თეორიებისა და მოდელების ჭრილში შეისწავლის აფხაზური საკითხის თემატურ ჩარჩოებს ქართულ მედიაში, ენისა და დისკურსის ბუნებას (მშვიდობის ჟურნალისტიკა ომის ჟურნალისტიკის საპირწონედ).

დანართი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგიის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი

2015 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში

1. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია "საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ" საქართველოს კანონის (მუხლი მე-4) და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წესდების (პუნქტი მე-5) თანახმად ატარებს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სამეცნიერო საქმიანობის წლიური ანგარიშებისა და დასრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ექსპერტიზას;
2. ექსპერტიზაზე წარმოდგენილი სამეცნიერო საქმიანობისა და დასრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ანგარიში სრულად უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ შემდეგ ფორმებს.

- სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინხტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება **: პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგიის ინსტიტუტი**
- სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი მაია მესტვირიშვილი
- სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა: სრული პროფესორი: მარინე ჩიტაშვილი, ასოცირებული პროფესორები: მაია მესტვირიშვილი, ლუიზა არუთინოვა, ასისტენტ პროფესორები ლილი ხეჩუაშვილი, ხათუნა მარწვიშვილი, თეონა ლოდია

*** საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2014 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები**

№	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები

1	კვლევითი პროექტი: ‘ემიგრაცია და დაბრუნება სამშობლოში: მიგრანტების რეინტეგრაცია, იდენტობა და ოჯახთან ადაპტაციის პრობლემები ‘,	პროექტის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მაია მესტვირიშვილი	1. ასოცირებული პროფესორი მაია მესტვირიშვილი 2. კონსულტანტი თამარ ზურაბიშვილი 3. მაგისტრატურის სტუდენტები

დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

კვლევა მიზნად ისახავს მიგრანტების შესახებ არსებული სამეცნიერო ცოდნის გაღრმავებას და არასრული ინფორმაციის შეგროვებას დაბრუნებული მიგრანტების ნარატივების ანალიზის საშუალებით. ამდენად, წინა კვლევებისაგან განსხვავებით, წინამდებარე პროექტში თვისებრივად განსხვავებული პერსპექტივითაა წარმოდგენილი საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების შესწავლის შესაძლებლობები. კერძოდ, კვლევის შედეგად დადგენილ იქნა (1) მიგრაციის შედეგი და გავლენა ოჯახის დინამიკაზე (ფსიქოსოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე); (2) დაბრუნებულ მიგრანტთა იდენტობის შესაძლო ცვლილებები და ამ ცვლილებებთან დაკავშირებული სიძნელეები; (3) აკულტურაციის სტრესის გავლენა და კარგად ყოფნის განცდის მიღწევის გზები; და (4) ფიქოსოციალური ფაქტორები, რაც ხელს უშლის ან უწყობს დაბრუნებულ მიგრანტთა საზოგადოებაში რეინტეგრაციის პროცესს.

	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
	თსუ, მიზნობრივი სამეცნიერო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტი: “პოსტტრავმული ზრდა ბავშვებსა და მოზარდებში: პიროვნული ფაქტორების, ადაპტაციისა და სოციალური მხარდაჭერის როლი”	პროფ. მ. ჩიტაშვილი თსუ, პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგიის ინსტიტუტი	ხათუნა მარწყვიშვილი, თსუ, ასისტენტ პროფესორი (უფროსი მკვლევარი) მარიამ ფანჯიკიძე, თსუ, მოწვეული ლექტორი (მკვლევარი)

ანოტაცია

კვლევის მიზანს წარმოადგენს ბავშვებსა და მოზარდებში ტრავმის შემდგომი პოზიტიური ცვლილებებისა და ტრანსფორმაციის მექანიზმების შესწავლა. კერძოდ, იმის კვლევა, თუ რა როლს ასრულებს პიროვნული ნიშნები, სოციალური მხარდაჭერა პოსტტრავმულ ზრდასა და პოზიტიურ ადაპტაციაში (2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს კონფილიქტის შედეგად იძულებით ადგილნაცვალი ბავშვებისა და მოზარდების, როგორც პოტენციურად ტრავმული გამოცდილების მქონე პირთა ჯგუფის მაგალითზე). კვლევაში მონაწილეობა მიიღო იძულებით ადგილნაცვალმა 9-დან 18 წლამდე 250 ბავშვმა და მოზარდმა. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ინდივიდის პიროვნულ ნიშნებსა და პოსტტრავმულ ზრდას შორის არსებობს კავშირი; პოზიტიური ადაპტაციის მახასიათებლები კავშირშია პოსტტრავმული ზრდის მაჩვენებლებთან; სოციალური მხარდაჭერის

მაღალი მაჩვენებლები პოზიტიურ კავშირშია პოსტტრავმული ზრდის მაჩვენებლებთან; შემოწმდა ჰიპოთეტური მედიაციური მოდელი პიროვნულ მახასიათებლებს, სოციალურ მხარდაჭერასა და პოსტტრავმულ ზრდას შორის. კვლევის შედეგები მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა მოზარდებსა და ბავშვებში პოსტტრავმული ზრდის ფენომენის გამოვლენის თავისებურებებისა და მექანიზმების შესახებ.

*** სახელმწიფო გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**

	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	ინტელექტის, ემოციებთან დაკავშირებული პიროვნული მახასიათებლებისა და თვითაქტუალიზაციის როლი შემოქმედებით აზროვნებაში	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ხათუნა მარწყვიშვილი	

ინტელექტის, ემოციებთან დაკავშირებული პიროვნული მახასიათებლებისა და თვითაქტუალიზაციის როლი შემოქმედებით აზროვნებაში

(ანოტაცია)

შემოქმედებითი აზროვნება ახალი, ორიგინალური და საზოგადოებისთვის ღირებული იდეების ჩამოყალიბებასა თუ პროდუქტის შექმნას მოიაზრებს (შტერნბერგ & ’ არა, 2000). შესაბამისად, იმ ფაქტორების კვლევა, რომელიც შემოქმედებითი აზროვნების პროცესს უწყობს ხელს საკმაოდ აქტუალური და მნიშვნელოვანია, რადგან კარგად განვითარებული შემოქმედებითი უნარების მქონე პიროვნება და საზოგადოება ქვეყნის აღმავლობის გარანტორია. მიუხედავად იმისა, რომ კრეატულობის შესახებ ჩატარებული ადრეული კვლევები უკვე მჭიდროდ უკავშირდება ინტელექტის შესწავლას (Kaufman & Plucker, 2011), საკითხი იმის შესახებ, თუ რა სპეციფიკური მახასიათებლებით განსხვავდება ინტელექტი და შემოქმედებითი აზროვნება ერთმანეთისაგან, კვლავაც ღიად რჩება. თუ შემოქმედებითობას თვით-აქტუალიზებული პიროვნების მახასიათებლად განვიხილავთ მაშინ, ინტელექტი, რომელიც უპირატესად გარემოსთან ადაპტაციისა და გადარჩენის მიზანს ემსახურება და შემოქმედებითი აზროვნება მოთხოვნილებათა იერარქიის სხვადასხვა საფეხურებს უნდა უკავშირდებოდეს. ცნობილია, რომ შემოქმედებით ინდივიდებს ახასიათებთ პიროვნული ნიშნების გარკვეული პატერნები (Feist, 1998, 2010), თუმცა, არაა ცნობილი, რა როლს ასრულებს ინდივიდის ემოციებთან დაკავშირებული პიროვნული ასპექტები, კერძოდ, ემოციური კრეატულობა და ემოციური კომპეტენციები შემოქმედებითი აზროვნების პროცესში. შესაბამისად, კვლევის მიზანია ინტელექტის, ემოციური ინტელექტის, ემოციური კრეატულობისა და თვითაქტუალიზაციის პროცესის მიმართების კვლევა შემოქმედებით აზროვნებასთან. კვლევა წვლილს შეიტანს არსებულ საერთაშორისო სამეცნიერო დისკუსიაში კოგნიტური ინტელექტისა და შემოქმედებითი აზროვნებას შორის არსებულ განსხვავებებთან დაკავშირებით. კვლევის შედეგად შესაძლებელი იქნება იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომელიც შემოქმედებითი აზროვნების პროცესზე ახდენს გავლენას, რაც ღირებული მასალა იქნება როგორც პრაქტიკოსი ფსიქოლოგებისათვის, ასევე, განათლების სფეროში მომუშავე პროფესიონალთათვის, რომელთა

საქმიანობაც უშუალოდ უკავშირდება შემოქმედებითი უნარების ამაღლებაზე ზრუნვას, რადგან ნიჭიერი, გამორჩეული ტალანტის მქონე და შემოქმედებითი უნარების მქონე ადამიანები არსებით როლს ასრულებენ და პასუხისმგებლები არიან ქვეყნის სოციოალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ წინსვლაზე (Rindermann et al. 2009).

*** პუბლიკაციები:**

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლილი ხეჩუაშვილი	პოსტტრავმული ზრდის კითხვარის ქართული ვერსიის ფსიქომეტრული მახასიათებლები.	*GESJ: Education Sciences and Psychology*, 4(36),		59-74.
ანოტაციები ნაშრომში განხილულია მოზრდილებში პოსტტრავმული ზრდის საკვლევი ინსტრუმენტის (PTGI-Geo) ქართული ვერსიის ფსიქომეტრული მახასიათებლები, კერძოდ, ფაქტორული სტრუქტურა, ქვესკალების შინაგანი შეთანხმებულობა, სქესთა შორის განსხვავებები და პოსტტრავმული ზრდის მაჩვენებლების განაწილება განსხვავებული ტრავმული გამოცდილების მქონე ჯგუფებში. 641 მონაწილეზე ჩატარებულმა კვლევის ორმა სერიამ აჩვენა, რომ კითხვარის ქართული ვერსია, ორიგინალური ხუთფაქტორიანის ნაცვლად, ოთხფაქტორიანი ინსტრუმენტია, რომელშიც უცვლელად არის შენარჩუნებული სხვებთან ურთიერთობის, პიროვნული სიძლიერისა და ახალი შესაძლებლობების სკალები, ხოლო სპირიტუალური ცვლილებისა (IV) და ცხოვრების დაფასების (V) სკალები გაერთიანდა და ახალი IV სკალა წარმოქმნა. შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებლების მიხედვით, კითხვარის ქართული ვერსია უახლოვდება ორიგინალს, კერძოდ, 21 დებულების ჯამური კოეფიციენტი 0.92-ია, ხოლო ცალკეული სკალებისთვის კრონბახის ალფას მნიშვნელობა 0.74-დან 0.86-ის დიაპაზონში ცვალებადობს. ამასთან, ქალებს, მამაკაცებთან შედარებით, უფრო მაღალი მაჩვენებლები აქვთ სხვებთან ურთიერთობისა და სპირიტუალური ცვლილების-ცხოვრების დაფასების სკალებზე. რაც შეეხება ტრავმული მოვლენის მიხედვით პოსტტრავმული ზრდის მაჩვენებლების განსხვავებას, მოცემულ შერჩევაში მხოლოდ ახალი შესაძლებლობების ქვესკალაზე დაფიქსირდა სტატისტიკურად სანდო განსხვავება, კერძოდ, იმ ადამიანებს უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვთ ამ სკალაზე, რომლებმაც ურთიერთობა გაწყვიტეს ან დაასრულეს პარტნიორთან/მეუღლესთან, ვიდრე მათ, ვინც ახლობელი ადამიანის სიკვდილი გადაიტანა.					
2	ლილი ხეჩუაშვილი	Tracing emerging master narrative of modern Georgians: Reconstruction through individual	*GESJ: Education Sciences and Psychology*, 3(35),		90-106.

		life stories.			

ანოტაციები

ნაშრომში წარმოდგენილია ჩვეულებრივი რიგითი ქართველების ინდივიდუალური ცხოვრების ისტორიის ნარატივების თვისებრივი კვლევა, რომელიც ფორმირებადი მასტერ ნარატივის მონახაზის მიგნებას ისახავდა მიზნად და ილუსტრირებულია ორი შემთხვევით. თავდაპირველად გაანალიზდა ზრდასრული ქართველების (100 რესპონდენტი) ცხოვრების ისტორია და აიგო განზოგადებული ცხოვრების ისტორია და გაანალიზდა მასტერ ნარატივის, კულტურის პრეზერვაციისა და გენერაციულობის თეორიულ ჩარჩოებში. გარდა ამისა, გამოიყო თხრობის ორი განსხვავებული ხაზი და ორ ჯგუფი: (1) ადამიანები, რომელთა მოზრდილად ფორმირება გასული საუკუნის 80-იან წლებში ან უფრო ადრე მოხდა და (2) თაობა, რომელიც მოზრდილად 90-იან წლებში ჩამოყალიბდა. ასევე, წარმოდგენილ იქნა ორი საილუსტრაციო შემთხვევა, რომელიც განხილულ იქნა თემატური კლასტერების, სტრუქტურისა და თხრობის მოდუსის მიხედვით. მონაცემებმა აჩვენა კვლევის მონაწილეთა ცხოვრების ისტორიაზე გვიანი საბჭოდა და პოსტსაბჭოთა ეპოქის ისტორიული, სოციალური და პოლიტიკური მოვლენებების გავლენა. 80-იან წლებში ფორმირებულ მოზრდილთა უმრავლესობისთვის საბჭოთა კავშირის დაშლა ერთ_ერთ მნიშვნელოვან გარდამტეხ მომენტად იქცა ცხოვრებაში. მათი თხრობა კონტამინაციის სტრუქტურას მიჰყვება, ხოლო მეორე ჯგუფი, რომელსაც ჩამოყალიბება საბჭოთა კავშირის დარღვევის შემდეგ მოუწია, მეტად მაკომპენსირებელი თანმიმდევრობით ალაგებს საკუთარ ცხოვრებას. ამას აჩვენებს საილუსტრაციო შემთხვევებიც. გარდა ამისა, ახალგაზრდა თაობა მეტად აგენტურ ან აგენტურისა და ურთიერთკავშირის მოტივების შემცველ ისტორიებს ყვებოდა, ხოლო უფროსი თაობის მონაწილეთა ამბები მეტად იყო გაჯერებული ურთიერთკავშირის მოტივებით. ასევე, როგორც საილუსტრაციო შემთხვევებიც აჩვენებს, გენერაციულობა მეტად თვალსაჩინოდ იკითხება შედარებით ახალგაზრდა მონაწილეთა ისტორიებში.

ბ) უცხოეთში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლილი ხეჩუაშვილი	საქართველოს მოქალაქეთა პოსტტრავმული ზრდა და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა: იძულებით ადგილნაცვალ პირდა და სხვა მოქალაქეთა შედარებითი კვლევა,	IV თავი წიგნში: პრაქანა, ს. (რედ.) ფსიქოლოგიის აპლიკაციები და განვითარება, ტომი II. ISSN 2183-2854V.	13 გვერდი

ანოტაციები

თავში წარმოდგენილია ფსიქოლოგიური კარგად ყოფნისა და პოსტტრავმული ზრდის კვლევის შედეგების შეჯამება. ფსიქოლგიური კარგად ყოფნისთვის აღებულია რიფის მიერ შემოთავაზებული

მრავალგანზომილებიანი მოდელი, ხოლო პოსტტრავმული ზრდისთვის -- ტედესკისა და კალჰოუნის ტრანფორმაციული მოდელი. ნაკვლევია თვითანგარიშის საზომებით წარმოდგენილი ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა და პოსტტრავმული ზრდა და პასუხობს ორ კითხვას: განსხვავდებიან თუ არა (2008 წლის ომის შემდეგ) იძულებით ადგილნაცვალი პირები და საქართველოს სხვა მოქალაქეები ერთმანეთისგან ამ ინდიკატორების მიხედვით და თუ კი, რამდენად შეიძლება ამ განსხვავებებით კვლევაში გაზომილი სხვა ცვლადების წინასწარმეტყველება? კვლევა ორ ეტაპს მოიცავდა: მოსამზადებელ სამუშაოებს, როდესაც ადაპტირდა და მომზადდა ქართულ ენაზე ორივე ინდიკატორის საზომი ინსტრუმენტი. მეორე ეტაპზე 1189 მონაწილეს მიეწოდა სტრესული მოვლენების ჩამონათვალი, პოსტტრავმული ზრდის კითხვარი და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის სკალები, ასევე, შეიკრიბა დემოგრაფიული ცვლადების შესახებ ინფორმაცია. მონაცემებმა აჩვენა, რომ ორი ჯგუფი არ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან ფსიქოლოგიური კარგად ყოფნისა და პოსტტრავმული ზრდის საერთო მაჩვენებლებით, თუმცა სამიზნე ჯგუფს უფრო დაბალი მაჩვენებელი ჰქონდა ახალი შესაძლებლობების ფაქტორზე. გარდა ამისა, გამოვლინდა მნიშვნელოვანი ჯგუფთაშორისი განსხვავებები, კერძოდ, დაბალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის მქონე საკონტროლო ჯგუფის წევრები და ღარიბად კვალიფიცირებული იძულებით ადგილნაცვალი პირები ნაკლებად გრძნობენ თავს კარგად, ვიდრე სხვა ქვეჯგუფები. ამასთან, სოციო-ეკონომიკური სტატუსი და ჯანმრთელობის თვითაღქმული მდგომარეობა სანდოდ წინასწარმეტყველებს ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის დონეს.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მესტვირიშვილი მაია, არუთინოვა ლუიზა, მარწყვიშვილი ხათუნა, მესტვირიშვილი ნათია	მოზარდტა ეგო იდენტობის სტატუსი: ადაპტური და არაადაპტური განზომილება	*Problems of Psychology in the 21st Century,* 2014; 8(2) 152–160	*Scientific Methodical Center "Scientia Educologica", Lithuania, 2015*	8

ანოტაციები

ეგო- იდენტობის ჩამოყალიბება ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა მოზარდობის პერიოდში . კვლევა მიზნად ისახავს იმ ფსიქო-სოციალური ფაქტორების იდენტიფიცირებას რაც ხელს უწყობს ეგო იდენტობის ჩამოყალიბებას მოზრდილობის პერიოდში.

386 მოზარდა 14-17 წლამდე (M = 15.48) შეავსო კიტხვარი რომელშიც ოთხი ინტრუემნტი იყო გაერთიანებული: ეგო -იდენტობის კითხვარი (EIPQ), მიჯაჭვულების სტილი, პერფექციანიზმი და თვითპატივისცემა. დისკრიმინანტულმა ანალიზმა გამოავლინა, რომ ეგო იდენტობის ვარიაცია ორი განზომიობით შეიძლება აიხსნას: ადაპტური და რაადაპტური გაზომილბით. ადაპტუ ტი გაზომილება აერთიანებს გაცნობიერებულ პერფქციონიზმს და მყარ მიჯაჭვულობას, ხოლო მეორე ამბივალენტუ მიჯაჭვულობას და თვით-შეფასებით პერფეციონიზმს

საკვანძო სიტყვები: მოზარდობის პერიოდში, ეგო იდენტობის სტატუსი, ეგო იდენტობის განვითარების, ფსიქოლოგიური ფაქტორები

2	ხ. მარწყვიშვილი, მ. მესტვირიშვილი	ემოციურ ინტელექტსა და პიროვნული აშლილობების სიმპტომებს შორის	N 8 (2)	*Problems of Psychology in the 21st Century*	8

		ურთიერთმიმართება			
პიროვნული აშლილობის დიაგნოსტიკურ კრიტერიუმთა უმრავლესობისთვის დამახასიათებელია ემოციებთან დაკავშირებული გარკვეული დარღვევები, თუმცა იმის კვლევა თუ რა როლს ასრულებს ემოციურ ინტელექტთან დაკავშირებული სხვადასხვა მახასიათებლები პიროვნული აშლილობის დიაგნოსტიკაში ძალიან მცირე რაოდენობით კვლევის საკითხს წარმოადგენს. კვლევის მიზანს წარმოადგენს ემოციურ ინტელექტს, როგორც პიროვნულ ნიშანსა და პიროვნული აშლილობის სიმტომებს შორის მიმართების კვლევა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 120 სტუდენტმა (28.3% მამრობითი და 71.7 % სქესის; (ასაკი) = 19.23, შ =2.45), რომელთაც შეავსეს (1) ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის საკვლევი კითხვარი (თ I უე) (ეტრიდეს, 2009); (2) პიროვნული აშლილობების საკვლევი კითხვარი (-4) (ყლერ . შტეენ, 1994). მულტივარიაციულმა ანალიზმა გამოავლინა ჯგუფის მნიშვნელოვანი ეფექტი - ინდივიდებს პიროვნული აშლილობების სიმპტომების მაღალი მაჩვენებლებით ჰქონდათ ემოციური ინტელექტის დაბალი მაჩვენებლები, პიროვნული ანოტაციები					
3	ლილი ხეჩუაშვილი და სალომე წილოსანი	ფსიქოლოგიური კარგად ყოფნისა და პოსტტრავმული ზრდის ინდიკატორების შედარებითი კვლევა იძულებით ადგილნაცვალ პირებსა და საქართველოს სხვა მოქალაქეებში	*საერთაშორისო ფსიქოლოგიური აპლიკაციების კონფერენცია და ტენდენციები, მასალების სრული კრებული* 6(32), 78-82. ISBN: 978-989-99389-0-8.		5 გვერდი
ანოტაციები სტატიაში აღწერილია იძულებით ადგილნაცვალ პირთა და საქართველოს სხვა მოქალაქეთა ფსიქოლოგიური კარგად ყოფნისა და პოსტტრავმული ზრდის მაჩვენებელთა შედარებითი კვლევა. ასევე, შემოწმდა ამ ცვალდების მიმართება სხვადასხვა დემოგრაფიულ მაჩვენებელთან. კვლევაში სულ მონაწილეობადა 641 ადამიანი. მონაცემებმა აჩვენა, რომ ეს ორი ჯგუფი არ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან პოსტტრავმული ზრდისა და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის ჯამური მაჩვენებლებით, თუმცა საკონტროლო ჯგუფის დაბალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის წევრები და ღარიბის კატეგორიაში გაერთიანებული იძულებით ადგილნაცვალი პირები მნიშვნელოვნად ნაკლებ ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნას აღნიშნავენ, ვიდრე სხვა ქვეჯგუფები. ასევე, ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის დონის სანდოდ წინასწარმეტყველება შესაძლებელია სოციო-ეკონომიკური სტატუსითა და ჯანმრთელობის თვით-აღქმული მდგომარეობით.					
4	ლილი ხეჩუაშვილი	პოსტტრავმული ზრდის კითხვარის ქართული ვერსიის ფსიქომეტრული თვისებების კვლევა	*დანაკარგისა და ტრავმის ჟურნალი* (ISSN: 1532-5024).		21 გვერდი

ანოტაცია

ნაშრომში წარმოდგენილია პოსტტრავმული ზრდის კითხვარის ქართული ვერსიის ფსიქომეტრული თვისებების ანალიზი, კერძოდ, განხილულია ფაქტორული სტრუქტურა, ქვესკალების შინაგანი შეთანხმებულობა და გენდერული განსხვავებები. ორ ურთიერთდამოუკიდებელ კვლევაში მონაწილეობდა 641 ადამიანი (300 და 341, შესაბამისად). კვლევამ აჩვენა, რომ პოსტტრავმული ზრდის კითხვარის ქართული ვერსია, ორიგინალური ინგლისურენოვანი ხუთფაქტორიანი ვერსიისგან განსხვავებით, ოთხი ფაქტორით აიგება, კერძოდ, პირველი სამი ფაქტორი (ახალი შესაძლებლობები, სხვებთან ურთიერთობა და პიროვნული სიძლიერე) უცვლელად შენარჩუნდა, ხოლო მეოთხე (სულიერი ცვლილება) და მეხუთე (ცხოვრების დაფასება) გაერთიანდა და ახალი მეოთხე ფაქტორი წარმოქმნა. ოთხივე ახალი ფაქტორის შინაგანი შეთანხმებულობა ახლოს დგას ორიგინალური კითხვარის მაჩვენებლებთან. ასევე, დადგინდა ზოგიერთი გენდერული განსხავვებები, რაც სხვა კვლევების შედეგების კონსისტენტურია.

5	ა. სიგლინგი კ. პეტრიდესი ხ. მარწყვიშვილი	ახალი ფსიქომეტრული მეთოდის შემოწმება მრავალასპექტიანი შეფასების ინსტრუმენტებისათვის ემოციური ინტელექტის კონტექსტში	N 29 *doi:* 10.1002/ per.1976	პიროვნების ევროპული ჟურნალი *Europian Journal of Personality*	12

ანოტაცია

ფსიქოლოგიური მახასიათებლების გაზომვასა და წარმოდგენასთან დაკავშირებით არსებული გამოწვევების პასუხად სტატიაში განხილულია ფსიქომეტრული მეთოდები, რომელიც გაზომვის ინსტრუმენტების პრობლემური სკალების იდენტიფიკაციას უწყობს ხელს. მეთოდი, რომელშიც გაერთიანებულია, როგორც თეორიული, ასევე, ემპირიული საფეხურები, განხილულია ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის მოდელის კონტექსტში და ეფუძნება ექვსი სხვადასხვა შერჩევიდან მიღებულ მონაცემებს (N = 1284) ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან. ჩატარდა 15 ასპექტის ეტაპობრივი რეგრესიული ანალიზი ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის ვარიაციის ალტერნატიული რეპრეზენტაციებზე, ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის საკვლევი კითხვარის ვალიდაციის კვლევების შედეგად მიღებულ სხვადასხვა გამოსავალ ცვლადებზე. ანალიზის შედეგად გამოვლინდა ხუთი ასპექტი, რომელიც არ ასახავდა კონტრუქტის უნიკალურ ვარიაციას ექვს სხვადასხვა კულტურაში ჩატარებული კვლევებიდან არც ერთ შერჩევაში. როგორც მოსალოდნელი იყო დარჩენილი ათი ასპექტი თანმიმდევრულად აჩვენებდა უფრო მაღალ კონსტრუქტულ ვალიდობას, ვიდრე ორიგინალურ 15 ასპექტიანი კომპოზიტი. სტატიაში განხილულია მიღებული შედეგები კონსტრუქტისა და სკალის განვითარებისათვის ღირებულების ჭრილში და მოცემულია მეთოდისა და მისი გამოყენების შემდგომი კვლევის მიმართულებები.

*** სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა**

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1	მაია მესტვირიშვილი, ნათია მესტვირიშვილი	ზღაპრების როლი ბავშვის მორალური განვითარების პროცესსში: მეტაფორებით სწავლება	შვიცარია, ივლისი 17-19 Qualitative Research: Beyond the Fractured Future, Research Methods Laboratory, 'Neuchatel, Switzerland
	ანოტაცია კვლევის მიზანია პასუხი გასცეს კითხვებს: რამდენადაა შესაძლებელი ზღაპარში ასახულმა არარეალურმა ამბებმა ასწავლოს ბავშვს ცხოვრების მნიშვნელოვანი გაკვეთილები 2. რითი განსხვავდება ზღაპრებით გადმოცემული ამბებით სწავლება უბრალო მითითებებისაგან თი რა უნდა გააკეთოს ბავშვმა და როგორ?3. როგორ ახერხებენ განსხვავებული ასაკის ბავშვები ზღაპრებში გადმოცემული მეტაპორების გაგებას? ამ კითხევზე პასუხის გასაცემად ჩატარებული იქნება ნარატიული ანალიზი ორი ქართული ზღაპარის 'წიქარა' და 'ნაცარქექია შემდგომაში ბაშვებმა პასუხი გასცეს კითხვებს რომლის საშუელბითაც შევამოწმეთ თუ რამდენად გასაგებია იყო მათთვის ზრაპრებში გადმოცემული სიბრძნე და რა ინტეპრეტაციას ახდენდნენ ზღაპრებში ინეგრირებული მეტაფორების. შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზღაპრებს ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვთ ბავშვთა მორალური განვითარების კუთხით. აგრეთვე მეტაფორების საშუალებით ზღპრები რთულ, კომპლექსურ კონცეფციას გადასცემენ ბაშვებს, რომელთა გაგებაც პირდაპირი გზით მათთვის შეუძლებელია.		
2.	მაია მესტვირიშვილი	ჰომოფობიის სიძლიერის განმსაზღვრელი ფატორები	ჰოლანდია, ამსტერდამი 12-14 მარტი International Convention of Psychological Science (ICPS), Association for Psuchological Sciencies. Amsterdam, Netherlands, 12-14 March
The validity of personality traits as predictors of job performance has been increasingly explored. Traditional method of performance appraisal is based on superiors' evaluation of employee while mystery shopping tools represents very useful measurement to evaluate staff performance in service industries. It is based on observation of employee behavior in work situation. The study was designed to investigate whether there is correlation between Cattel 16 PF and service quality indicators using mystery shopping survey method. Forty-two female pharmacists-consultants (working in a drug store) (M of age = 36.7, SD=9.37) completed Cattel's 16 Personality Factors Questionnaire. Mystery shoppers evaluated pharmacists communication and sale skills and service standards performance. The results showed that there is correlation between Emotional Stability factor and sales skill (r = .34, p < .05), Emotional Stability and global indicator of service quality (r = .31, p < .05), Self-reliance was negatively correlated with communication skills (r = -.36, p < .05). The results of standard multiple regression showed that Dominance factor has a predictive value (R2ADJ=.08, F (1,41) =4.63, p=.03 for overall indicator of service quality ß = -.32, p=.03). The results suggest that personality traits are important in the workplace. Mystery shopping survey methods are useful tools not only for assessing company's customer service but personnel job performance as well.

* საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	სამუშაო–პირადი ცხოვრების ბალანსის განმაპირობებელი ორგანიზაციული და პიროვნული ფაქტორები	სოფიო დოლიძე	სოფიო დოლიძე ანა ჯებირაშვილი
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
	ქალთა უმუშევრობის დონე მცირდება 2008 წლის შემდეგ. ამასთან დაკავშირებით ერთ–ერთი აქტუალური საკითხია სამუშაო–პირადი ცხოვრების ბალანსი და მისი განმაპირობებელი ორგანიზაციული და პიროვნული ფაქტორები. კვლევის მიზანი იყო, თბილისის მაშტაბით დასაქმებული ქალებისთვის სამუშაო–პირადი ცხოვრების ბალანსის ფენომენის მნიშვნელობისა (არსის) და იმ ორგანიზაციული თუ პიროვნული ფაქტორების გამოკვეთა, რომლებიც სამუშაო–პირადი ცხოვრების ბალანსს განაპირობებს. კვლევის ერთ–ერთ მეთოდად გამოყენებული იქნა ინტერვიუები, რომელთა შედეგადაც		

	სამუშაო–პირადი ცხოვრების ბალანსის, ასევე, მისი ხელშემწყობი ორგანიზაციული ფაქტორების საკვლევად შემუშავდა კვლევის 36 დებულებიანი ინსტრუმენტი. ამავე ინტერვიუების მიხედვით გამოკვეთილ პიროვნულ მახასიათებლებზე დაყრდნობით, რაოდენობრივი კვლევისთვის დამატებით შეირჩა პიროვნული კითხვარი NEO_PI. მართალია რეგრესული ანალიზის მიხედვით, სამუშაო–პირადი ცხოვრების ხელშემწყობი ფაქტორები და პიროვნული მახასიათებლები არ აღმოჩნდა მნიშვნელოვანი ამხსნელი სამუშაო–პირადი ცხოვრების დისბალანსის ვარიაბელობისა, თუმცა დაფიქსირდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი უარყოფითი კორელაცია სამუშაო–პირადი ცხოვრების დისბალანსსა და ბალანსის ხელშემწყობ ფაქტორებს შორის (–0.22). ამასთან, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დადებითი კორელაცია გამოიკვეთა ნეიროტიზმსა და სამუშაო–პირადი ცხოვრების დისბალანსს შორის (0.249) და უაროფითი კორელაცია სამუშაო–პირადი ცხოვრების დისბალანსს და ექსტრავერსიას შორის (–0.195). ასევე, შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები ორგანიზაციათა მენეჯმენტისთვის იმ გზების შესახებ, რომლებიც ხელს უწყობენ თანამშრომელ ქალებს სამუშაო–პირადი ცხოვრების ბალანსის შენარჩუნებაში.		
2	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
	ემოციური ინტელექტის მიმართება სერვისის სფეროში სამუშაოს შესრულებასთან, სტრესის დაძლევის სტრატეგიებთან და გენდერთან	სოფიო დოლიძე	სოფიო დოლიძე ნინო სოხაძე
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
	მრავალი სამეცნიერო კვლევის შედეგად დადგენილია, რომ ემოციური ინტელექტი დადებით გავლენას ახდენს სამუშაოს წარმატებით შესრულებაზე, საშუალებას აძლევს ადამიანს, უფრო ეფექტურად დაძლიოს და ა.შ.მრავალი კვლევითი შედეგი ასევე ადასტურებს ამ მხრივ გენდერულ სხვაობებსაც. ჩვენი კვლევის ფარგლებში მოხდა ემოციური ინტელექტის მიმართების შესწავლა სტრესის დაძლევის სტრატეგიებთან, შესრულებული სამუშაოს შეფასებასა და გენდერულ სხვაობებთან. გამოიკითხა სს„თიბისი ბანკის„ ე.წ. ფრონტში მომუშავე 195 თანამშრომელი და გამოყენებულ იქნა: ემოციური ინტელექტის საკვლევი კითხვარი (TEIQue – Trait Emotional Intelligence Questionnaire), სტრესის დაძლევის სტრატეგიების კითხვარი (ლაზარუსი; ფოკლმანი) და 2014 წელს სს „თიბისი ბანკი"ში„ ჩატარებული მისტიური კლიენტის კვლევის შედეგები. კვლევის შედეგად დადგინდა დადებითი კორელაცია ემოციურ ინტელექტსა და სამუშაოს შესრულებას შორის (.410). სტრესის დაძლევის მხოლოდ 2 სტრატეგიას და ემოციურ ინტელექტს შორის დადგინდა დადებითი კორელაციები, ესენია: სოციალური მხარდაჭერა (.828) და თვითკონტროლის (.415) სკალები. რეგრესული ანალიზის შედეგად კვლევის არც ერთი ჰიპოთეზა არ გამართლდა. გენდერული თვალსაზრისით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები ამ მხრივ არ აღმოჩენილა, არც ემოციური ინტელექტის გლობალური და არც მისი ცალკეული კომპეტენციების ფლობის კუთხით ქალებსა და კაცებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობები არ არსებობს.		
3	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
	პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ფაქტორების შედარებითი ანალიზი კერძო და საჯარო ორგანიზაციებში	სოფიო დოლიძე	სოფიო დოლიძე სოფიო ჯიქური
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
	მუდმივად ცვალებად სამყაროში ადამიანები საჭიროებენ კვალიფიკაციის ამაღლებას, პროფესიულ განვითარებას, რომ არ ჩამორჩნენ ახალ გამოწვევებს. აქტუალურია საკითხი, თუ ვინ უნდა იზრუნოს პიროვნების პროფესიულ განვითარებაზე, დამსაქმებელმა ორგანიზაციამ თუ		

	თავად პიროვნებამ. კვლევის მიზანი იყო პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ფაქტორების იდენტიფიცირება და მათი მიხედვით კერძო და საჯარო სტრუქტურებს შორის შედარებითი ანალიზის გაკეთება, რაც მოგვცემდა საშუალებას, გარკვეული რეკომენდაციები შეგვემუშავებინა ორგანიზაციებისთვის კონკრეტული პროფესიული განვითარების აქტივობების შესახებ. კვლევა ორ ეტაპად ჩატარდა. პირველ ეტაპზე საკვლევ მეთოდებად გამოყენებულ იქნა ფოკუს ჯგუფის და ინტერვიუს მეთოდები, ხოლო მეორე ეტაპზე პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ფაქტორების შესაფასებელი კითხვარი, რომელიც აღნიშნული თვისობრივი მეთოდების საფუძველზე შემუშავდა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 154–მა ცდის პირმა, რომელთა ასაკი იყო 22–დან 58–მდე, მათ შორის 101–მდედრობითი და 53 მამრობითი სქესის წარმომადგენელი. 154–დან 71 მათგანი დასაქმებული იყო საჯარო ორგანიზაციებში, 83 კი კერძო ორგანიზაციებში. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ კერძო ორგანიზაციები უფრო მეტად არიან ორიენტირებულნი თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე, ვიდრე საჯარო ორგანიზაციები. თუმცა ორივე ტიპის ორგანიზაციებში დასაქმებული რესპონდენტები თანაბრად მნიშვნელოვად მიიჩნევენ სასურველ პროფესიული განვითარების საშუალებებს, რომლებსაც, მათი აზრით, უნდა სთავაზობდეს ორგანიზაცია.

4	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
	ერიკ ბერნის „თამაშები, რომლებსაც ადამიანები თამაშობენ„ ქართული გამოცემის სამეცნიერო რედაქტირება	გამომცემლობა „არტე“	სოფიო დოლიძე
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
	„თამაშები, რომლებსაც ადამიანები თამაშობენ“ ერიკ ბერნის, კანადელი ფსიქიატრის, ყველაზე ცნობილი წიგნია. ის პროფესიონალი ფსიქოთერაპევტებისთვის დაიწერა, მაგრამ რადგან ადამიანური ურთიერთობების ფსიქოლოგიას შეეხება, ძალზე პოპულარული გახდა არაფსიქოლოგებს შორისაც. 2015 წელს წიგნი პირველად გამოიცა ქართულად. ეს გამოცემა ქართველ მკითხველს ბერნის ტრანზაქციული ანალიზის თეორიის ძირითადი დებულებებისა და პრინციპების გაცნობის საშუალებას აძლევს. ის განსაკუთრებით დაეხმარება ფსიქოლოგებს/ფსიქოლოგიის მიმართულების სტუდენტებს პროფესიული ცოდნის გაღრმავებაში.		

დაწესებულება თუ საჭიროდ თვლის, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტოვობაც.

ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (2 ეგზემპლარად) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დებულების მე-3 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და

შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით “არ შეფასდა”.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის წლიური ანგარიში (2015 წ.)

1.1. **ივ.ჯავახიშვილის სახ.თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რ.აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი**

1.2. **ინსტიტუტის დირექტორი** - ფიზ.მათ.მეცნ.კანდ.გრიგორ ტატიშვილი

1.3. **ინსტიტუტის ერთეულის პერსონალური შემადგენლობა** (იხ. თანამშრომელთა სია)

პროგრამის დასახელება:

ნანოქიმიის, ზოგიერთი ადგილობრივი ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგიებისა და ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის მეცნიერული საფუძვლების შემუშავება

პროგრამის ხანგრძლივობაა 10 წელი

პროგრამა განხორციალდება სამი ქვეპროგრამით:

I ქვეპროგრამა:

არარეგულარულ ნანო- და მეზოსკოპურ ქიმიურ და ელექტროქიმიურ სისტემებში მუხტისა და ენერგიის გადატანის პროცესების კომპლექსური შესწავლა და სათანადო ტექნოლოგიების მეცნიერული საფუძვლების შემუშავება

II ქვეპროგრამა:

საქართველოს წიაღისეულისა და მეორადი ტექნოგენური ნედლეულის გადამუშავების რაციონალური ტექნოლოგიების მეცნიერული საფუძვლების შემუშავება და ახალი მასალების მიღება

III ქვეპროგრამა:

ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და სამედიცინო კვლევებისათვის ახალი მეთოდების შემუშავება.

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

I. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	**I ქვეპროგრამის ფარგლებში:** **მიმართულება 1:** თეორიული კვლევები და კვლევის ახალი მეთოდები **პროექტის** **2015 წლის ეტაპი:** თეორიული მოდელები ფოტოკატალიზის პროცესისათვის.	თ.მარსაგიშვილი	გ.ტატიშვილი მ. მაჭავარიანი

ფოტოკატალიზი, ანუ ფოტონებით (როგორც წესი, ხილული და ახლო ულტრაიისფერი დიაპაზონის) ზემოქმედება ქიმიური რეაქციის მსვლელობაზე წარმოადგენს ინტერესს როგორც თეორიული კვლევებისათვის, ასევე პრაქტიკული გამოყენებისათვის.

ფოტოკატალიზური ქიმიური რეაქციების თეორიული გათვლების დროს ჩვენ ვიყენებთ თეორიული და მათემატიკური ფიზიკის მეთოდებს - კონდენსირებული გარემოს (გარემო შეიცავს მინარევულ ნაწილაკებს, რეაგენტებს და კატალიზატორებს) პოლარიზაციის ოპერატორების მრავალნაწილაკიან ტემპერატურულ გრინის ფუნქციებს. განხილულია მუხტის გადატანის როგორც თერმული, ასევე ფოტოპროცესები და კონდენსირებულ გარემოში მყოფი ნაწილაკების-კატალიზატორების აგზნებები.

განვიხილავთ მოდელურ სისტემას, რომელიც წარმოადგენს კონდენსირებულ გარემოს მასში გახსნილი რეაგენტებით. იმისათვის, რომ უგულებელვყოთ ერთი ტიპის რეაგენტების ერთმანეთთან პირდაპირი ურთიერთქმედება და გავითვალისწინოთ ნაწილაკების ჯგუფის

ურთიერთქმედება, რომელსაც მივყავართ რეაქციამდე, ვვარაუდოთ, რომ ნაწილაკების-რეაგენტების კონცენტრაცია ძალიან დაბალია. ვვარაუდობთ ასევე, რომ ფოტონების ნაკადი ახდენს ზემოქმედებას სისტემაზე. ერთი ფოტონის შთანთქმა წარმოადგენს ფოტოგადატანის ერთ აქტს, რომლის შედეგადაც მიიღება რეაგენტი (კატალიზატორის მოლეკულა ან იონი განიხილება როგორც რეაგენტი, თუმცა რეაქციის შედეგად რჩება იგივე მდგომარეობაში, რაც მას გააჩნდა რეაქციამდე) აღზნებულ მდგომარეობაში.

განვიხილავთ მუხტის ფოტოგადატანის პროცესს დიპოლურ-აქტიურ პოლარიზებად (ელექტრული და ინფრა-წითელი პოლარიზაცია) ნაწილაკებს შორის არარეგულარულ კონდენსირებულ გარემოში, როცა ნაწილაკების გარემოსთან ურთიერთქმედების პოლარიზაციული და ფლუქტუაციური მექანიზმები გათვალისწინებულია.

მიღებული გამოსახულებები საშუალებას იძლევა გამოვითვალოთ კონდენსირებულ გარემოში მოთავსებული პოლარიზებული რეაგენტის რხევითი სპექტრი და ქიმიური ბმების წონასწორული მანძილების სიდიდეები.

ელექტრონის აღზნებულ მდგომარეობაში გადასვლის პროცესის ალბათობის გათვლა ფოტონის შთანთქმით და ელექტრონის დაბრუნება ძირითად მდგომარეობაში ფოტონის გამოსხივებით ტარდება ზოგადი ფორმით მოდელურ მიახლოებებში. ვვარაუდობთ, რომ პროცესის დასაწყისში და ბოლოში რეაგენტის რხევითი თავისუფლების ხარისხების რიცხვი ერთი და იგივეა. ამ დაშვების შემთხვევაშიც კი სიჩქარის კონსტანტის ზოგადი გამოსახულება საკმაოდ რთულია. სიმარტივისათვის შემოვიფარგლებით შემხვევით, როცა შიდამოლეკულური რხევები შეიძლება განხილულ იქნას როგორც კლასიკური.

მიღებულია ანალიზური გამოსახულებები ფოტოგადატანის პროცესის სიჩქარის კონსტანტისათვის, გარემოს რეორგანიზაციის ენერგიისთვის, პროცესის აქტივაციის ენერგიისთვის, ასევე აგზნების ელექტრონის გადატანის პროცესის ექსტინქციის კოეფიციენტისთვის.

მიღებული ანალიზური გამოსახულებები შეიძლება გამოყენებულ იქნას პროცესის ოპტიკური სიმკვრივის ანალიზური გამოსახულების მისაღებად.

იმისათვის, რომ ჩატარდეს ანალიზი პროცესების ფართო დიაპაზონისთვის, საჭიროა კონკრეტული მოდელის არჩევა, ამ მოდელის ფარგლებში ზოგადი გამოსახულებების ანალიზური გამარტივება და ექსპერიმენტულ მონაცემებთან შედარება. რის შემდეგ შესაძლებელია რეორგანიზაციის ენერგიების, გადასვლის დიპოლური მომენტის, კვანტური ქვესისტემის რეორგანიზაციის და სხვ. რიცხვითი მნიშვნელობების მიღება.

ფოტოკატალიზური პროცესისათვის სისტემის აღზნებული მდგომარეობიდან გადასვლა საბოლოო მდგომარეობაში მიმდინარეობს თერმული მექანიზმით.

გამოთვლის შედეგად მიიღება ფორმულა, რომელიც აღწერს მუხტის გადატანის პროცესს

აგზებული მდგომარეობიდან სხვა ნაწილაკზე (რეაგენტზე).

ელექტრონის ფოტოგადატანის კონსტანტისა და მუხტის გადატანის თერმული პროცესის კონსტანტების ნამრავლი გვაძლევს ფოტოკატალიზური რეაქციის სიჩქარის გამოსახულებას.

მიღებულია კვანტური გამოსახულება ჰეტეროგენული პროცესის ანოდური დენის სიმკვრივისათვის ფერმის განაწილების მქონე ნახევრადგამტარული ელექტროდის მონაწილეობით.

ელექტრონის ფოტოგადატანის კონსტანტისა და მუხტის ჰეტეროგენული გადატანის თერმული პროცესის დენის სიმკვრივის ნამრავლი გვაძლევს ფოტოკატალიზური ჰეტეროგენული რეაქციის დენის სიმკვრივის გამოსახულებას.

მოყვანილი გამოსახულებები კინეტიკური პარამეტრების მარტივი შეფასებების საშუალებას იძლევა ძლიერად გამარტივებული მოდელების ფარგლებში

(ეტაპის ანგარიში სრულად იხ.დანართში 1)

2.	**I ქვეპროგრამის ფარგლებში:** **მიმართულება 1:** თეორიული კვლევები და კვლევის ახალი მეთოდები **პროექტი:** პოლარულ გამხსნელებში მუხტის თერმული და ფოტო-გადატანის თეორიის (დოღონაძე-კუზნეცოვი) შემდგომი განვითარება და მისი აპრობირება ფოტოსინთე-ზირებად სისტემებსა და ჰემისშემცველ ცილებზე **(2015-2017 წწ.)** **2015 წლის ეტაპი:** ფოტოსინთეზირებად სისტემებში კონკრეტული პროცესისათვის სპეციფიური ეფექტების თეორიული გათვალისწინება და რაოდენობრივი ანალიზი	მეც.თანამ. მერაბ ზაქარაია	მეც.თან. ა.ბენაშვილი

წარმოდგენილი ეტაპის მიზანი და ამოცანები:

კონდენსირებულ გარემოსა და მოლეკულათშიდა რელაქსაციური პროცესების ერთობლივი ზემოქმედების შესწავლა მრავალატომიანი მოლეკულების შთანთქმის სპექტრებზე

(სტრუქტურასა და ელექტრონულ-რხევითი კომპონენტების ფორმაზე; ასევე ინტენსივობათა განაწილებაზე).

შესწავლის ობიექტად არჩეულია ფოტოსინთეზირებადი სისტემებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი – ბეტა-კაროტინი. სპექტრები შესწავლილია სხვადასხვა პოლარობის გარემოში (აცეტონი, ეთანოლი, იზოპენტანი და სხვა) ტემპერატურის ფართო დიაპაზონისათვის - 122 K-დან ოთახის ტემპერატურამდე.

ამა თუ იმ ქიმიური თუ ბიოლოგიური ობიექტების რამოდენიმე ოპტიკური მეთოდით კომპლექსური კვლევა პრაქტიკულად ამომწურავ ინფორმაციას იძლევა აღნიშნული ობიექტის ფუნქციონირების შესახებ. საქმე იმაშია, რომ შთანთქმა-გამოსხივების სპექტრები, ისევე როგორც სინათლის რეზონანსული კომბინაციური გაბნევისა და კოჰერენტული ანტი-სტოქსური გაბნევის აგზნების პროფილები წარმოადგენენ ე. წ. ვიბრონული (ელექტრონულ-რხევითი) კომპონენტების სუპერპოზიციას. აღნიშნული კომპონენტების ინტენსივობა და განაწილება სპექტრებში განპირობებულია შესასწავლი მოლეკულის აქტიური თავისუფლების ხარისხების რაოდენობით, სიხშირეებითა და წანაცვლებებით. თითოეული ვიბრონული მდგენელის ფორმა კი განისაზღვრება მოლეკულათშიდა რელაქსაციური პროცესებითა და გარემოს დინამიური როლით, ისევე როგორც, არაერთგვაროვნებით. ყოველ კსონკრეტულ შემთხვევაში, აღნიშნული პარამეტრებისათვის რეალისტური რაოდენობრივი მნიშვნელობების მიღება მოითხოვს სწორ თეორიულ მოდელირებას.

ჩვენს მიზანს წარმოადგენდა ადექვატური თეორიული მოდელის შექმნა და მისი აპრობირება ფოტოსინთეზირებად სისტემებზე, კერძოდ კაროტენოიდებზე.

მნიშვნელოვანი ფუნქციონალური დატვირთვის გარდა, კაროტენოიდები გამოირჩევიან მინიმალური აქტიური თავისუფლების ხარისხების რაოდენობით და დეტალურად არიან შესწავლილი სხვადასხვა გამხსნელებსა და ტემპერატურის ფართო დიაპაზონში. სხვა ავტორების თეორიული შრომების უდიდესი ნაწილი დაფუძნებულია დაშვებაზე, რომ ვიბრონული კომპონენტების გაგანიერებაში ერთ-ერთი მექანიზმი დომინირებს. მაგ.: ან გარემო ახდენს გაუსის ფორმის მიცემას, ან შიდა რელაქსაციური პროცესები – ლორენცის ფორმას. იმის გამო, რომ აღნიშნული მექანიზმების წვლილები პრაქტიკულად ყოველთვის თანაზომადია, ჩვენი თეორიული მიდგომა გამორიცხავს ასეთ, აპრიორულ დაშვებას და ვიბრონული მდგენელებისათვის ფოიგტის მრუდს ეფუძნება. ჩვენს მიერ, ადრე მიღებული ანალიზური გამოსახულება ფოიგტის მრუდისათვის [1] საშუალებას იძლევა რაოდენობრივი დათვლები მოვახდინოთ დამატებითი პარამეტრის ვარირებით, რომელიც გაუსისა და ლორენცის წვლილების შეფარდებას წარმოადგენს. ექსპერიმენტალური წერტილებიდან თეორიული მრუდების გადახრის მინიმიზირების სტანდარტულმა პროცედურებმა მოგვცეს რეალისტური მნიშვნელობები როგორც რელაქსაციური კონსტანტებისათვის, ისე გარემოს რეორგანიზაციის ენერგიებისათვის. მიღებული, შესადარისი მნიშვნელობები აღნიშნული პარამეტრებისათვის ცხადყოფს გაუსისა და ლორენცის წვლილების ერთდროული ზემოქმედების გათვალისწინების აუცილებლობასა და მართებულობაზე. მიღებული შედეგები მომზადებულია სტატიის სახით და გადაცემულია გამოსაქვეყნებლად [2].

ლიტერატურა:

1. M.G.Zakaraya and J.Ulstrup. Opt. Commun. 68 (1988) 107;

2. Merab Zakaraya, Archil Benashvili and David Gogoli, Voigt profile analysis and band-shape parameter dependence on temperature and solvent dynamics in absorption spectra of beta-carotene. საქ. მეც. აკად. მოამბე (მიღებულია დასაბეჭდად) **(ეტაპის ანგარიში იხ.დანართში 2).**

3.	**I ქვეპროგრამის ფარგლებში:** **მიმართულება 2:** ელექტროქიმიური მეთოდით მეტალების ნანოფხვნილებისა და ელექტროქიმიურად აქტიური მანგანუმის დიოქსიდის ფხვნილის მიღება; **პროექტი:** რკინისა და ნიკელის ნანოფხვნილების და აგრეთვე მანგანუმის დიოქსიდის ელექტროქიმიურად აქტიური ფხვნილებისა და ფირების მიღება და მათი თვისებების შესწავლა.(2013-2015 წ.წ.) **2015 წლის ეტაპი:** ემდ-ს ფირების მიღება სუპერკონდენსატორებისთვის	გ. ცაგარელი	შ. მახათაძე ნ. მაისურაძე ლ. ბაცანაძე

ამჟამად ელექტროქიმიური კონდენსატორები ელექტროენერგიის წყაროების პერსპექტიულ მოწყობილობებს წარმოადგენენ.მათუკავიათ შუალედური ადგილი ტრადიციულ კონდენსატორებსა და აკუმულატორებს შორის. ელექტროქიმიურ ულტრაკონდენსატორებს გააჩნიათ უფრო მაღალი ენერგიის სიმკვრივე, ვიდრე ტრადიციულ ელექტრულ კონდენსატორებს და უფრო მაღალი სიმძლავრის სიმკვრივე, ვიდრე აკუმულატორებს. აქტიურ მასალად ელექტროქიმიურ კონდენსატორებში იყენებენ ძლიერ განვითარებული ზედაპირის მქონე ნივთიერებებს, ელექტროგამტარ პოლიმერულ მასალებს, მეტალების ნიტრიდებს და ოქსიდებს. შთამბეჭდავი შედეგები იყო მიღებული რუთენიუმის ამორფული დიოქსიდისთვის, ტევადობა აღწევდა 700 ფ/გ. მაგრამ მისი პრაქტიკული გამოყენება იზღუდება სიძვირისა და გამოყენებული ელექტროლიტის ტოქსიკურობის გამო. ჰ.ი.ლიმ და ჯ.ბ.გუდენოვმა პირველებმა აღმოაჩინეს, რომ განსაზღვრული მოდიფიკაციის მანგანუმის დიოქსიდის ($a\text{-}MnO_2$) ფხვნილს გააჩნია კონდენსატორებისათვის დამახასიათებელი ქცევა. ამ მასალისგან დმზადებული ელექტროდის ტევადობა უდრიდა 220 ფ/გ. ამის მერე ფართოდ გაიშალა კვლევები ამ მიმართულებით. მანგანუმის დიოქსიდი მრავალ მკვლევარს რუთენიუმის დიოქსიდის რეალურ ალტერნატივად

მიაჩნია.

ჩვეულებრივ კონდენსატორებში ელექტროენერგიის აკუმულირების და გაცემის მექანიზმი ფიზიკურ მოვლენას წარმოადგენს და არ არის დაკავშირებული ფაზურ ან ქიმიურ ცვლილებებთან. ამიტომ დამუხტვა-განმუხტვის პროცესი ხასიათდება შექცევადობის მაღალი ხარისხით. ციკლების გამეორებადობა თეორიულად განუსაზღვრელია. სუპერკონდენსატორებში მეტალთა ოქსიდების მუშაობის მექანიზმი ეფუძნება სწრაფად მიმდინარე შექცევად ელექტროქიმიურ რეაქციას, რომელიც განპირობებულია აქტიური მასალის სხვადასხვა დაჟანგულობის ხარისხის მდგომარეობით. მანგანუმის დიოქსიდის შემთხვევაში ელექტროქიმიური რეაქცია შეიძლება შემდეგი განტოლებით გამოვსახოთ:

$$MnO_2 + xe + xH^+ = H_xMn_x^{III}Mn_{1-x}^{IV}O_2 \qquad (1)$$

კონდენსატორის მუშაობის ამ პრინციპს „ფსევდოტევადობას“ უწოდებენ. ჩვეულებრივი მოდიფიკაციის მანგანუმის დიოქსიდის ელექტროქიმიური ჟანგვა-აღდგენითი რეაქცია არ გამოირჩევა ულტრაკონდენსატორებისათვის საჭირო შექცევადობის ხარისხით. გარდა ამისა, არ გააჩნია ქიმიური მდგრადობა, ციკლირების პროცესში ის დესტრუქციას განიცდის. ჩვენ სამუშაოში ადრე იყო ნაჩვენები, რომ მანგანუმის დიოქსიდის ფირების მიღებისას რკინის შემცველი ხსნარებიდან რკინის იონები ინერგება მანგანუმის დიოქსიდის კრისტალურ მესერში. რკინით მოდიფიცირებული მანგანუმის დიოქსიდი ელექტროქიმიური კონდენსატორებისათვის საჭირო თვისებებით გამოირჩევა. ციკლური ვოლტამპეროგრამის სახე უახლოვდებოდა მართკუთხედის ფორმას, რაც შეესაბამება ჟანგვა-აღდგენითი რეაქციის შექცევადობის მაღალ ხარისხს. მიყოლებით გადაღებული ციკლური ვოლტამპეროგრამები 500 ციკლს უდრიდა. იყო შესწავლილი მანგანუმის დიოქსიდის მასის და მაშასადამე ფირის სისქის გავლენა მის ტევადობაზე. ელექტრობის მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც იხარჯებოდა ფირის მიღებაზე შეადგენდა $5{,}76 \cdot 10^{-2}$კ.

საანგარიშო პერიოში მანგანუმის დიოქსიდის ფირის მიღებაზე კულონომეტრიულ პირობებში დახარჯული ელექტრობის რაოდენობა გავზარდეთ $9{,}6 \cdot 10^{-2}$კ-მდე, ე.ი. გავზარდეთ ფირის სისქე, მაგრამგაზრდილ ინტერვალშიც ელექტროდის ტევადობა მანგანუმის დიოქსიდის მასის პირდაპირპროპორციული აღმოჩნდა. ამრიგად, საკმაოდ სქელი ფირების შემთხვევაშიც დამუხტვა-განმუხტვის პროცესი ფირის მთელ მოცულობაში მიმდინარეობს და არა ზედაპირზე. მანგანუმის დიოქსიდი ნახევარგამტარული თვისებებით ხასიათდება და რკინის იონების ჩანერგვა კრისტალურ მესერში აუმჯობესებს მის ელექტროგამტარობას და, როგორც ჩანს, აადვილებს პროტონების დიფუზიას ფირის სისქეში, რაც განტოლება (1)-ის შესაბამისად ზრდის რეაქციის სიჩქარეს.

ფირის ფორმირება ხდებოდა $2 \cdot 10^{-3}$ მოლი/ლ $MnSO_4$ + 0,195 მოლი/ლ Na_2SO_4 + $5 \cdot 10^{-3}$ მოლი/ლ H_2SO_4 +10^{-3} მოლი/ლ $FeSO_4$ ხსნარშიპლატინის მავთულის (დიამეტრი 0,5 მმ, სიგრძე 10 მმ) ელექტროდზე. ფირების ელექტროქიმიურ თვისებებს ვსწავლობდით სტანდარტულ სამელექტროდიან უჯრედში, დამხმარე ელექტროდად ვიყენებდით პლატინის ფირფიტას, ხოლო შედარების ელექტროდად Hg/Hg_2SO_4სისტემას. ციკლურ ვოლტამპეროგრამებს ვიღებდით 0,5 მოლი/ლ Na_2SO_4-ის ხსნარში, პოტენციალის გაშლის სიჩქარე უდრიდა 50 მვ/წ 0,1ვ-დან 0,9 ვ-მდე. ფირების ტევადობის

დასადგენად ვიყენებდით განტოლებას

$$c=\frac{I\bullet dt}{dv\bullet m} \qquad (2)$$

სადაც I - დენია მოცემულ პოტენციალზე, t - დრო, v - პოტენციალი, m - ფირის მასა.

$I \bullet dt$-ს სიდიდე უდრის ციკლური ვოლტამპეროგრამის ფართობის ნახევარს. ციკლური ვოლტამპერომეტრიის მეთოდით შესწავლილი იყო რამდენიმე ათეული სხვადასხვა პირობებში მიღებული ფირი. აქედან სამისთვის დამუხტვა-განმუხტვის რაოდენობამ შეადგინა 1000 ციკლი. ტევადობის დასადგენად საჭირო იყო ფირის მასის ცოდნა, განტოლება (2), რასაც ვადგენდით ფირის ფორმირებაზე დახარჯული ელექტრობის რაოდენობით. ასეთი გამოთვლა 100 %-იანი დენით გამოსავლის შემთხვევაშია მართებული. უნდა აღინიშნოს, რომ ნაკლები გამოსავლის შემთხვევაში ფირის მასა მცირდება და ტევადობის მნიშვნელობა იქნებოდა უფრო დიდი, ვიდრე ჩვენ მიერ გაანგარიშებული. ერთი ციკლის დრო შეადგენდა 16 წამს, ამიტომ 1000 ციკლის გადაღება თითქმის 9 საათის განმავლობაში გრძელდებოდა. ფირისთვის, რომლის გამოთვლილი მასა $7\cdot10^{-6}$ გ შეადგენდა, ტევადობის მნიშვნელობა 370 ფ/გ უდრიდა, 1000 ციკლის შემდეგ ენერგიის დანაკარგმა 12 % შეადგინა. იგივე პირობებში $1{,}4\cdot10^{-5}$ გ-ანი ფირის ტევადობა 350 ფ/გ უდრიდა, 1000 ციკლის შემდეგ ტევადობა 10 %-ით შემცირდა, ხოლო $2{,}1\cdot10^{-5}$ გ-ანი ფირის ტევადობა იყო 330 ფ/გ, დანაკარგი 1000 ციკლის შემდეგ - 34 %. პირველი ორი ფირისთვის ციკლური ვოლტამპეროგრამის კონფიგურაცია მართკუთხედის ფორმასთან მიახლოებული იყო, რაც რეაქციის შექცევადობის მაღალ ხარისხზე მიუთითებს. ორმოცდამეათი ციკლის შემდეგ მრუდის ფორმა და, მაშასადამე ტევადობა, ცდის ბოლომდე პრაქტიკულად აღარ იცვლებოდა. ეს მეტყველებს ფირის მასალის ქიმიურ მდგრადობაზე. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ციკლირების რესურსი გაცილებით უფრო დიდია და შორს არის ამოწურვამდე.

ციკლირებისას მესამე ფირის ვოლტამპეროგრამების სახე უფრო და უფრო მეტად შორდებოდა მართკუთხედის ფორმას. ტევადობა თანდათან მცირდებოდა, თავიდან უფრო სწრაფად, პრაქტიკულად მე-1000 ციკლამდე.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ელექტროქიმიური კონდენსატორებისათვის მისაღები თვისებები გააჩნია ფირებს, რომელთა მასა ფართობის ერთეულზე არ აღემატება $7\cdot10^{-3}$ გ/სმ^2. **(ეტაპის ანგარიში იხ.დანართში 3).**

4.	**I ქვეპროგრამის ფარგლებში:** **მიმართულება 2:** ელექტროქიმიური მეთოდით მეტალების ნანოფხვნილების მიღება; **პროექტის** **2015 წლის ეტაპი:** მენდელეევის პერიოდული სისტემის მე-III ჯგუფის ელემენტების, გალიუმისა და ინდიუმის ნიტრიდების ნანო ფხვნილების მიღება	ნ.დვალი	დ.ზენაიშვილი შ.კიკაბიძე

ჩატარებულია ცდები, რომელთა მიზანიც იყო პერიოდული სისტემის მე-III ჯგუფის ელემენტების, გალიუმისა და ინდიუმის ნიტრიდების ნანო ფხვნილების მიღების მეთოდის დახვეწა. კერძოდ, ჩვენი მიზანი იყო შეგვესწავლა სხვადასხვა გამაფხვიერებელი დანამატების, მათი კონცენტრაციების, ტემპერატურული და დროის რეჟიმების გავლენა მიღებული ნიტრიდული ნანო ფხვნილების მარცვლის ზომაზე, მისი სტრუქტურული და მორფოლოგიურ მახასიათებლებზე.

შესწავლილია ამონიუმის ჰექსაფტორგალატისა და ამონიუმის ჰექსაფტორინდატის ამიაკის გარემოში დაშლის პროცესი და მასზე სხვადასხვა დანამატების, კერძოდ ამონიუმის ქლორიდის, ამონიუმის ფტორიდის, ამონიუმის კარბონატის და მათი სხვადასხვა რაოდენობრივი კომბინაციის გავლენა. დადგენილია რომ ამ დანამატებს მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ მიღებული ნანოფხვნილების სტრუქტურასა და მარცვლის ზომებზე. ასევე შესწავლილია ზემოთ აღნიშნული გამაფხვიერებელი ნივთიერებების გავლენა ნიტრიდების ნანო ფხვნილების გამოსავალზე და ქიმიურ სისუფთავეზე. შესწავლილი იქნა აგრეთვე ზემოთ აღნიშნული დანამატების სხვადახვა ტემპერატურულ რეჟიმში სინთეზის პროცესზე გავლენა.

მიღებული შედეგების მიხედვით შექმნილია პილოტური დანადგარი, დასახულია გალიუმისა და ინდიუმის ნიტრიდების ნანო ფხვნილების სინთეზის მეთოდის გზები. ამჟამად ტარდება ექსპერიმენტები, რათა მიღწეულ იქნეს არა მარტო ნანო ფხვნილების სინთეზის მეთოდის ოპტიმალური პირობების დადგენა, არამედ ექსპერიმენტების დამაკმაყოფილებელი კვლავწარმოება და მიღებული ნანო ფხვნილების მაღალი ხარისხი.

(ეტაპის ანგარიში სრულად იხ.დანართში 4).

5.	**I ქვეპროგრამის ფარგლებში:** **მიმართულება 4:** ახალი თაობის Li -იონური აკუმულატორებისათვის ელექტროქიმიურად აქტიური ნანოოსტრუქტუ-რული საკათოდე მასალე-ბის შემუშავება; **პროექტის** **2015 წლის ეტაპი:** Li-იონური აკუმულატორ-ებისათვის Li_2MnO_3, როგორც მაღალვოლტიანი, ლითიუმით მდიდარი კომპოზიციური საკათოდე მასალების შემადგენელი ნაწილის, შემუშავება.	ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი ე.ქაჩიბაია	აკადემიური დოქტორები რ.იმნაძე, თ.პაიკიძე
შემუშავებულია მონოკლინური სტრუქტურის Li_2MnO_3-ს, როგორც $xLi_2MnO_3 \cdot (1-x)LiMnO_2$-ტიპის კომპოზიციური ნაერთების, რომლებიც გამოიყენებიან Li-იონური აკუმულატორების საფუძველზე შექმნილი მაღალი ელექტროქიმიური მახასიათებლების მქონე ლითიუმის ბატარეებისათვის პერსპექტიულ საკათოდე მასალებად, შემადგენელი კომპონენტის მიღების ფიზიკურ-ქიმიური საფუძვლები. Li_2MnO_3-ს ნიმუშების მისაღებად გამოცდილია სხვადასხვა მეთოდი; შერჩეულია მიზნობრივი პროდუქტის მისაღები საწყისი რეაგენტები: $MnCO_3$, LiOH, γ-MnO_2, Li_2CO_3, ლითიუმისა და მანგანუმის აცეტატები. შესწავლილია მათი თერმული და სხვა ფიზიკურ-ქიმიური თვისებები; შესწავლილია შერჩეული რეაგენტების $T=0\div1000^oC$ ინტერვალში ურთიერთქმედების ფაზური შედგენილობა და სტრუქტურა; ოპტიმიზირებულია ფაზურად-სუფთა, ნანოზომის ($d=10\div12$ ნმ) Li_2MnO_3 მონოკლინური სტრუქტურის მქონე ნიმუშების მირების პირობები და შემუსავებულია მათი პრაქტიკაში გამოყენებადთან შედარებით გამარტივებული და ეკოლოგიურად ნაკლებად მავნე მიღების მეთოდები. **(ეტაპის ანგარიში სრულად იხ.დანართ'ში 5).**\			
6.	**I ქვეპროგრამის ფარგლებში:** **მიმართულება 5:** თერმოქიმიური კვლევები **პროექტის 2015 წლის ეტაპი:** პეროვსკიტის ტიპის სტრუქტურების მქონე სისტემის $Ba_xSr_{1-x}Co_yFe_{1-y}O_{3-\delta}$ თერმოდინამიკური მახასიათებლების კვლევა	ქიმ.მეცნ. დოქტ. თ. მაჩალაძე	ქიმ.მეცნ. დოქტ: ვ.ვარაზაშვილი ნ.ლეჟავა ქიმ.იის მეცნ.კანდ.: მ.ცარახოვი მ.ხუნდაძე . რ.ჯორბენაძე . თ.ფავლენიშვილი – მეცნიერ მუშაკი გ.ჯაფარიძე – უფროსი

			მეცნიერ მუშაკი 8. ლ.როყვა - ლაბორანტი

სინთეზირებულია პეროვსკიტის ტიპის მქონე კომპოზიტები $SrCO_{0,8}Fe_{0,2}O_{3-\delta}$ და $Ba_{0,2}Sr_{0,8}Co_{0,8}\cdot Fe_{0,3}O_{3-\delta}$. თერმოგრავიმეტრული კვლევები ჩატარდა F.Paulik, J.Paulik, L.Erday-ს სისტემის დერივატოგრაფზე Q-1500D.

პირველი ენდოთერმული ეფექტი ორივე კომპოზიტისათვის DTA მრუდზე 100^0C-ზეა, რაც ადსორბირებული წყლის მოცილებასთანაა დაკავშირებული. მასის კლება ორივე კომპოზიტისათვის შეადგენდა 0,35-0,23% შესაბამისად. ტემპერატურის მატებას მივყავართ მასის შემდგომი შემცირების დასაწყისთან ~350^0C-ზე. 350-550^0C ტემპერატურულ ინტერვალში მისი კლება შეადგენს 1,35-1,55% ორივე კომპოზიტისათვის. DTA მრუდზე $SrCO_{0,8}Fe_{0,2}O_{3-\delta}$ 510^0C-ზე მცირე ენდოთერმული ეფექტია. $Ba_{0,2}Sr_{0,8}Co_{0,8}\cdot Fe_{0,3}O_{3-\delta}$ კომპოზიტისათვის შეიმჩნევა ორი მცირე ენდოთერმული ეფექტი 450-490^0C-ზე.

550-1000^0C-ზე ტემპერატურულ ინტერვალში მასის კლება შეადგენს 1,28-1,1% შესაბამისად. DTA მრუდზე $SrCO_{0,8}Fe_{0,2}O_{3-\delta}$ კომპოზიტისათვის 920^0C-ზე აღინიშნება მცირე ენდოთერმული ეფექტი.

მასის ცვლილელება ორივე კომპოზიტისათვის დაკავშირებულია ჟანგბადის კარგვასთან. ეს პროცესი შექცევადია. პირველი ცდის დამთავრების შემდეგ, ნიმუშები ცივდებოდა ღუმელთან ერთად. ~24 საათის შემდეგ იგივე ნიმუშებზე გადაღებული თერმოგრამა გვაძლევს ანალოგიურ სურათს. მასის კლება, რომელიც ადსორბირებულ წყალს შეესაბამება 0,3-0,15%-ია, 350-550^0C ტემპერატურულ ინტერვალში მასის კლება შეადგენს 0,77-0,62%, ხოლო 550-1000^0C ინტერვალში 1,17-1,0%. DTA მრუდზე $SrCO_{0,8}Fe_{0,2}O_{3-\delta}$ ნიმუშისათვის ხელმეორედ გახურებისას 920^0C-ზე მცირე ენდოთერმული ეფექტია, რომელიც მეორე კომპოზიტისათვის არ შეიმჩნევა.

ჟანგბადის კარგვა პეროვსკიტის ტიპის აღნიშნულ კომპოზიტებისათვის შექცევადი პროცესია. ხელმეორედ გახურებისას მასა ოდნავ ნაკლებად იკარგება.

(ეტაპის ანგარიში სრულად იხ.დანართში 6).

\

7.	**I ქვეპროგრამის ფარგლებში:** **მიმართულება 6:** სათბობის ტიპის დენის წყაროები **პროექტი:** არადეფიციტური მეტალური კატალიზატორებით მოდიფიცირებული საანოდე მასალების შემუშავება სათბობის ელემენტებისათვის და მისი გამოყენებით ჩამდინარე წყლების გაწმენდა ტოქსიკური მინარევებისაგან"; (2015-2018) **2015 წლის ეტაპი:** ნატრიუმის ბოროჰიდრიდის პირდაპირი და არაპირდაპი-რი მოქმედების სათბობის ელემენტებისათვის კობალტ-შემცველი კატალიზატორე-ბის დამზადება და მისი აქტივობის კვლევა".	უფ.მეც.თან. პაატა ნიკოლეიშვილი	უფ. მეც.თან. ვ.კვესელავა უფ.მეც.თან. გ. გორელიშვილი მეც.თან. რ.კურტანიძე მეც.თან. დ.შარაბიძე

ქიმიური აღდგენისა და ელექტროქიმიური მეთოდების გამოყენებით სინთეზირებული იყო სხვადასხვა კატალიზატორი კობალტის საფუძველზე: *Co-P, Co, Co-Ni, Co-B,* წვრილდისპერსული *Co-B* და გამოცდილი იყო ნატრიუმის ბოროჰიდრიდის რეფორმინგის პროცესში წყალბადის გენერაციის მიზნით.

დადგენილი იყო, რომ წვრილდისპერსული *Co*-კატალიზატორის თანაობისას რეფორმინგის პროცესში *NaOH*-ის კონცენტრაციის გაზრდით 0.1 მოლი/ლ-დან 4 მოლი/ლ-მდე წყალბადის გამოყოფის სიჩქარე 13.5 მლ/წთ-დან გაიზარდა 37 მლ/წთ-მდე.

დადგენილი იყო, რომ წვრილდისპერსული *Co-B* კატალიზატორის თანაობისას რეფორმინგის პროცესში 0.1-დან 2 მოლი/ლ-მდე $NaBH_4$ კონცენტრაციის გაზრდისას გენერირების სიჩქარე გაიზარდა 0.84 მლ/წთ-დან 33.4 მლ/წთ-მდე, ხოლო 2 მოლი/ლ-ზე მაღლა - წყალბადის გამოყოფის სიჩქარე ეცემა 15.5 მლ/წთ-მდე. შერჩეული იყო რეფორმინგის პროცესში ხსნარის ოპტიმალური კონცენტრაცია – 2 მოლი ($NaBH_4$ + NaOH).

(ეტაპის ანგარიში სრულად იხ.დანართში 7).

8.	**I ქვეპროგრამის ფარგლებში:** **მიმართულება 8:** ლაზერული კვლევები **პროექტი:** ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების, ზოგიერთი თიოსემიკარბაზონის შესწავლა ლაზერული რამან-სპექტროსკოპიით, ინფრაწითელი, ხილული სპექტროსკოპიებით, ფლუორესცენციითა და თეორიული გამოთვლებით **2015 წლის ეტაპი:** ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების, ზოგიერთი თიოსემიკარბაზონების შესწავლა ლაზერული რამან-სპექტროსკოპიით	ს. გოთოშია	ლ. გოთოშია

1. თემის შესრულებისათვის საჭირო ლაზერული სისტემების მუშა მდგომარეობაში მოყვანა.

2. დაწყებულია მაღალმგრძნობიარე დიდი სინათლის ძალის მქონე, ფართო სპექტრალური დიაპაზონის (200 ნმ – 2.5 მმკ), მრავალფუნქციური იაფი ლაზერული რამან-სისტემის კონსტრუირება. მისი დანიშნულება იქნება ფართო დიაპაზონის ოპტიკური და სპექტროსკოპიული ამოცანების გადაწყვეტა ძირითადად ნახევარგამტარებისა და მყარი სხეულების ფიზიკაში. მისი საშუალებით განვახორციელებთ პერსპექტიული ობიექტების ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებს UV-VIS-NIR, RS, RRS, SERS, SERRS, PL, LIBS სპექტროსკოპიების მეთოდებით.

3. უცხოური ფირმების UV-VIS და FTIR სპექტრომეტრებზე ჩავწერეთ 2NO2-Thiosemicarbazon, 2CH3-Thiosemicarbazon, 2Br-Thiosemicarbazon, 2Cl-Thiosemicarbazon, 2OH-Thiosemicarbazon, 4NO2-Thiosemicarbazon, 4NH-Thiosemicarbazon, 4Cl-Thiosemicarbazon-ის ხილული და ინფრაწითელი შთანთქმის სპექტრები ოთახის ტემპერატურაზე. სპექტრები ჩავწერეთ წყალხსნარებისა და KBr დაპრესილი ტაბლეტების სახით.

4. შევიძინეთ ერთფაზიანი 60 მილივატიანი ჰელიუმ-ნეონის ლაზერი და მივუსადაგეთ ჩვენი კონსტრუქციის რამან-სისტემას, როგორც რამან-სპექტრების ამგზნები წყარო. შედეგად, ჩავწერეთ გამოსაკვლევი და ზემოთმოხსენებული თიოსემიკარბაზონების რამან-სპექტრები ოთახის ტემპერატურაზე. სპექტრები ჩავწერეთ ვიწრო სპექტრალურ უბანში პოლარიზაციული გაზომვების გარეშე.

5. მოვიძიეთ სხვადასხვა კომპიუტერული პროგრამები მოლეკულების კვანტურ-ქიმიური გამოთვლებისათვის, UV-VIS-IR-RS-PL, NMR თეორიული სპექტრების გამოსათვლელად და ასაგებად, სხვადასხვა სოფტები მოლეკულური სტრუქტურების ასაგებად და თვისებათა დასახასიათებლად. ნაწილობრივ შევისწავლეთ და რამდენიმე მათგანით გამოვითვალეთ ზემოთმოხსენებული გამოსაკვლევი მოლეკულების ჩვენთვის საინტერესო მახასიათებლები და თვისებები.

6. თეორიული და ექსპერიმენტული მრავალფეროვანი მონაცემების შედარებით, ანალიზით, სპექტრალური პროგრამული და მათემატიკური გამოთვლებით შევაფასეთ სხვადასხვა კვანტურ-ქიმიური გამოთვლათა შესაძლებლობები, სიზუსტე, ადექვატურობა, უპირატესობა. შედეგად, საშუალება მოგვეცა ექსპერიმენტული მონაცემების ინტერპრეტაციისა, რთული, მრავალატომიანი მოლეკულების ნორმალური რხევების გაშიფრვის, ინტერპრეტაციისა და მრავალფეროვანი სტრუქტურული და ქიმიკო-ფიზიკური პარამეტრების დადგენისა.

8. გარდა ზემოთმოხსენებული ქიმიური თემატიკისა, პარალელურად ჩვენ შევასრულეთ ჩვენი ტრადიციული თემის "იონური იმპლანტირებით მოდიფიცირებული ნახევარგამტარების ზედაპირების რამან სპექტროსკოპია, ნანოსტრუქტურებისა და ზედაპირული ელექტრული ველების ეფექტი რამან სპექტრებზე" ეტაპი. ამ მიმართულებით მაღალრეიტინგულ ჟურნალში გამოქვეყნდა ერთი სტატია და ვამზადებთ დანარჩენ ორს.

(ეტაპის ანგარიში სრულად იხ.დანართში 8).

9.	**I ქვეპროგრამის ფარგლებში:** **მიმართულება 9:** კოორდინაციული და კომ-პიუტერული ქიმია; **პროექტის 2015 წლის ეტაპი:** 3d-ლითონებთან ბიოაქტიური ჰიდრაზინების და ჰიდრაზონების, ამინებისა და ამიდების შემცველი შერეულლიგანდიანი კოორდინაციელი ნაერთების სინთეზი და მათი ფიზიკურ- ქიმიური და ბიოლოგიური თვისებების კვლევა.	მაია ცინცაძე	მ.კერესელიძე ლ.სხირტლაძე დ.ლოჩოშვილი ს.ჭიჭინაძე ნ.გეგეშიძე ნ.კილასონია

მიღებულია მანგანუმის (II), კობალტის(II) და ნიკელის(II) ქლორიდების, სულფატების, ნიტრატების შერეულლიგანდიანი კოორდინაციული ნაერთები პარა-დიმეთილამინობენზალდეჰიდის იზონიკოტინოილჰიდრაზონთან და ორთო-ამინო-4 დ 5-მეთილპირიდინთან. ელემენტური ანალიზით დადგენილია მათი შედგენილობა და ინდივიდუალობა. განსაზღვრულია მათი ხსნადობები და ლღობის ტემპერატურები. შესწავლილია მათი თერმოგრამები, რენტგენოგრამები, ელექტრონული (მყარ მდგომარეობაში და ხსნარებში) და შთანთქმის ინფრაწითელი სპექტრები. დადენილია ორგანული და აციდოლიგანდების კოორდინირების წესი ლითონებთან და მოწოდებულია სქემები კომპლექსების აღნაგობის შესახებ. თეორიულად დასაბუთებულია და ექსპერიმენტულად დადასტურებულია ორგანული ლიგანდების კოორდინირების წესი.

(ეტაპის ანგარიში სრულად იხ.დანართში 9).

10.	**I ქვეპროგრამის ფარგლებში:** **მიმართულება 10:** ელექტროქიმიურად აქტიური ანიონებისა და ბიოლოგიურად აქტიური მრავალფუძიანი ორგანული მჟავების დისოციაციის პროცესების კვლევა. **პროექტი:** გლუტარის მჟავას ალკილ და არილ წარმოებულების ელექტროლიტური დისოციაციის პროცესების თეორიული ანალიზი და მათი პარამეტრების განსაზღვრა ორიგინალური განტოლებების გამოყენებით	ელენე კვარაცხელია	ელენე კვარაცხელია რუსუდან კურტანიძე

1. ავტორების მიერ შემუშავებული სუსტი მრავალფუძიანი ორგანული მჟავების დისოციაციის პროცესების ანალიზის ორიგინალური მეთოდის გამოყენებით შესწავლილია გლუტარის მჟავას ალკილ და არილწარმოებულების (β-მეთილგლუტარის, β-ეთილგლუტარის, β-პროპილგლუტარის, β-იზოპროპილგლუტარის, β,β′-დიმეთილგლუტარის, β,β′-მეთილეთილგლუტარის და 2,2-დიფენილგლუტარის მჟავების) ელექტროლიტური დისოციაციის რთული პროცესების კანონზომიერებები.

2. განსაზღვრულია ისეთი მნიშვნელოვანი დისოციაციის პარამეტრები, როგორიცაა ყველა საფეხურის ჩვეულებრივი და "პარციალური" ხარისხები (ეს უკანასკნელი სიდიდე ავტორების მიერ არის შემოთავაზებული), ყველა ანიონისა და არადისოცირებული მჟავას მოლეკულების კონცენტრაცია, pH-ის სიდიდეები აღნიშნული მჟავების განზავებული ხსნარების კონცენტრაციის ფართო ინტერვალში (0.0001 - 0.01M).

3. დებაი–ჰიუკელის თეორიის მეორე მიახლოების განტოლების დახმარებით გათვლილია ორივე მჟავას სხვადასხვა ანიონებისა და წყალბადის იონების აქტიურობის კოეფიციენტები მჟავების კონცენტრაციის ზემოთ აღნიშნულ ინტერვალში.

4. შემოთავაზებულია შედარებით მარტივი სახის ემპირიული განტოლებები, რომელთა დახმარებით შესაძლებელია სხვადასხვა დისოციაციის პარამეტრების სიდიდეების სწრაფი მიახლოებითი განსაზღვრა.

(პროექტის ანგარიში სრულად იხ.დანართში 10).

1.	**I I ქვეპროგრამის ფარგლებში:** **მიმართულება 1:** ფიზიკურ-ქიმიური ანალიზი; **პროექტის 2015 წლის ეტაპი:** ბოლნისი-კაზრეთის რეგიონის სახნავ-სათესი ნიადაგების მძიმე მეტალებით დაბინძურების და ტოქსიკურობის ხარისხის შესწავლა თანამედროვე ტესტ-მეთოდების გამოყენებით, მათი რემედიაციისა და რეკულტივაციის შესაძლებლობები	შუქრი ჯაფარიძე	რუსუდან გიგაური - პასუხისმგებელი შემსრ. ნანული ხავთასი ლამარა დოლიძე ნაირა გიგაური

შესწავლილია კაზრეთი-ბოლნისის რ-ნის სახნავ-სათეს ნიადაგებში მძიმე მეტალებით დაბინძურების ხარისხი, რომელიც საშუალოზე მაღალია. TCLP-WET სტანდარტების მიხედვით გამოტუტვის პროცედურამ აჩვენა, რომ ნიადაგებში მძიმე მეტალები ძირითადად იმყოფება ხსნად სულფატურ ფორმებში. ფართო გავრცელების არეალით, მაღალი, საშუალოდ მაღალი ტოქსიკურობის ხარისხით. აპრილის თვეში აღებული ნიადაგის ნიმუშების ანალიზი ცხადყოფს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის მიერ სარწყავი არხი გამოყენებული არ ყოფილა, მძიმე მეტალების აღნიშნული შემცველობები ნიადაგში მიუთითებენ მათ აკუმულირებაზე. გაზაფხული - შემოდგომის პერიოდში აღებული ნიადაგების ნიმუშებისათვის ჩატარებული ანალიზების შედარებისას აღმოჩნდა, რომ გაზაფხულიდან შემოდგომამდე რწყვის პერიოდში მკვეთრად გაიზარდა ნიადაგებში მძიმე მეტალების შემცველობები. ყველაზე დომინანტი და ნიადაგისათვის ერთ-ერთი ტოქსიკური მეტალის, სპილენძის შემთხვევაში, მისი შემცველიბა გაიზარდა 30-ჯერ. ყველა სხვა მეტალის პროცენტული რაოდენობა გაზრდილია 2-3%-მდე.

(ეტაპის ანგარიში სრულად იხ.დანართში 11)

2.	**I I ქვეპროგრამის ფარგლებში:** **მიმართულება 2:** მანგანუმშემცველი ნედლეულის ქიმიურ-ტექნოლოგიური გადამუ-შავებით ელექტროლიზური მანგანუმის დიოქსიდისა (ემდ) და სხვა პროდუქტების მიღების ტექნოლოგიები. **2015 წლის ეტაპი:** მანგანუმის დიოქსიდისა და წყალბადის მიღება იზოლირებულ ელექტროლიზერებში ელექტროდების ბიპოლარული ჩართვით.	ჟ. ქებაძე	ლ. კაკურია, ქ.უგრელიძე

დადგენილია, რომ: ელექტროდების მონოპოლარული ჩართვიდან ბიპოლარულზე გადასვლისას ელექტროენერგიის ხვედრითი ხარჯი 9-10%-ით მცირდება; ელექტროენერგიის ხვედრითი ხარჯის შემცირება გამოწვეულია სითბური და ძაბვის დანაკარგების შემცირებით წრედის გარე ნაწილში; დენით გამოსავალი ნბმ-ის ანოდზე 4-4.5%-ით მაღალია

ტიტანის ანოდებთან შედარებით.

(ეტაპის ანგარიში სრულად იხ.დანართში 12).

3.	**I I ქვეპროგრამის ფარგლებში:** **მიმართულება 2:** მანგანუმშემცველი ნედლეულის ქიმიურ-ტექნოლოგიური გადამუ-შავებით ელექტროლიზური მანგანუმის დიოქსიდისა (ემდ) და სხვა პროდუქტების მიღების ტექნოლოგიები. **პროექტი :** კონკურენტუნარიანი ქიმიური პროდუქციის მიღების ტექნოლოგიის დამუშავება დაბალხარისხოვანი მანგანუმ-შემცველი ნედლეულის გამოყენებით. **შესრულების ვადა:** 2015-2017წ.წ. **2015 წლის ეტაპი:** საქართველოს მანგანუმ–შემცველი ნედლეულიდან მანგანუმის სულფატის კონცენტრირებული ხსნარების მიღების ტექნოლოგიის გამოცდა ლაბორატორიულ და გამსხვილებულ მასშტაბში.	თემურ ჩახუნაშვილი, ტექნ. მეცნ. აკად. დოქტორი	ტექნ. მეცნ. კანდ. : თ. როყვა, ზ. ვაწაძე, ინჟ.: მ. დადუნაშვილი, ნ. ბუთლიაშვილი

მანგანუმის სულფატი არის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი მანგანუმშემცველი პროდუქტი. ის წარმოადგენს შუალედურ პროდუქტს ელექტროლიზური მანგანუმის დიოქსიდისა და ელექტროლიზური ლითონური მანგანუმის წარმოების დროს, გამოიყენება სინთეზური ცხიმოვანი მჟავების წარმოებაში, საფეიქრო მრეწველობაში, სასუქების წარმოებაში. უკანასკნელი 15-20 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა მანგანუმის სულფატის გამოყენება ცხოველთა კვებაში მიკროელემენტის შემცველ დანამატად კომბინირებული საკვების დამზადების დროს. ცხოველთა კვება მანგანუმის სულფატის გამოყენების ყველაზე პერსპექტიული სფეროა.

მანგანუმის სულფატის, როგორც სასაქონლო პროდუქტის, მისაღებ საწყის ნედლეულად ჩვენს მიერ შერჩეულია საქართველოს დაბალხარისხოვანი მანგანუმშემცველი ნედლეული: ჭიათურის კარბონატული მადნები, ოქსიდური მადნების გამდიდრების კუდები და შლამები, რუსთავის ელექტროლიზური მანგანუმის დიოქსიდის მსხვილტონაჟიანი წარმოების ნარჩენი შლამები, რომლებიც ამჟამად პრაქტიკულად არ გამოიყენება თანამედროვე ფეროშენადნობთა წარმოებაში.

წარმოებული პროდუქციის გაიაფებისა და ადგილობრივი მუშახელის დასაქმების მიზნით ჩვენს მიერ ადგილობრივი მანგანუმშემცველი ნედლეულის გარდა გათვალისწინებულია ადგილობრივი

მასალების გამოყენება, როგორიცაა ტყიბულის ქვანახშირი (ოქსიდური ნედლეულის აღმდგენი) და დედოფლისწყაროს კირქვა და კირი (გამოტუტვის შედეგად მიღებული სუსპენზიის გამნეიტრალებელი აგენტი). რაც შეეხება გამომტუტავ აგენტს, შემოტანილი გოგირდმჟავას გარდა, შესაძლებელია ნახმარი გოგირდმჟავას გამოყენებაც, რომელიც საქართველოს საწარმოებში წარმოიქმნება (კერძოდ, სტაბილური იზოტოპების ქარხანაში). აღნიშნული ღონისძიებები საგრძნობლად აწევს მანგანუმის სულფატის წარმოების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებს.

ჭიათურის კარბონატული მადნისა და რუსთავის მანგანუმშემცველი შლამის გამოყენებით ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა კონცენტრირებული $MnSO_4$–ის მიღების ლაბორატორიული და გამსხვილებული მასშტაბის ცდები. ლაბორატორიული ცდები ტარდებოდა 2 ლ მოცულობის თერმომედეგი მინის ჭიქებში, ხოლო გამსხვილებული მასშტაბის ცდები – 12 ლიტრი მოცულობის უჟანგავი ფოლადისაგან დამზადებულ ცილინდრულ რეაქტორში კონუსური ძირით, რომელიც კოროზიული მედეგობის გაზრდის მიზნით შიგნიდან ამოგებული იყო 4 მმ სისქის მჟავაგამძლე რეზინით. ორივე შემთხვევაში წარმოქმნილი სუსპენზიის არევა ხდებოდა მექანიკური სარეველას მეშვეობით.

ქვემოთ მოცემულია ჩატარებული ცდების ძირითადი შედეგები. ქვანახშირით წინასწარ აღდგენილი რუსთავის შლამი შეიცავდა 35,4% MnO–ს და 0,5% MnO_2-ს. წინასწარ მზადდებოდა აღდგენილი შლამის სუსპენზია ონკანის წყლის გამოყენებით. მყარი და თხევადი ფაზების საწყისი თანაფარდობა შეადგენდა 1:2,5–ს. გამოტუტვა ტარდებოდა 75-80°C ტემპერატურაზე კონცენტრირებული H_2SO_4–ის შეყვანით სუსპენზიაში მუდმივი მორევის პირობებში (და არა პირიქით: გოგირდმჟავას წყალხსნარში აღდგენილი მადნის ჩაყრით, რაც მნიშვნელოვნად აადვილებდა და ამარტივებდა გამოტუტვის პროცესის ჩატარებას). გამოტუტვის პროცესში pH-მეტრის საშუალებით მუდმივად იზომებოდა pH. გამოტუტვის პროცესი დამთავრებულად ითვლებოდა, როდესაც მთავრდებოდა გოგირდმჟავას ურთიერთქმედების რეაქცია მადნის კომპონენტებთან და სუსპენზიაში მყარდებოდა 2,0÷2,5–ს ტოლი pH. გამოტუტვის პროცესი pH-ის აღნიშნულ მნიშვნელობამდე გრძელდებოდა 60–70 წთ. ამის შემდეგ რეაქტორში იყრებოდა – 100 მკმ–მდე დაფქვილი კირქვა, რის შედეგად ~15-20 წთ–ში pH აღწევდა 4,8-5,3–მდე. pH–ის უფრო მაღლა ასაყვანად ვიყენებდით წვრილად დაფქვილ კირს – CaO-ს, რომლის დახმარებით pH აგვყავდა 6,2-6,5–მდე. ხსნარში არსებული ორვალენტიანი რკინის დასაჟანგად ვიყენებდით ჰაერს, რომელიც კომპრესორიდან მიეწოდებოდა სუსპენზიას სპეციალური ბარბოტერის საშუალებით. რკინის დაჟანგვის პროცესი გრძელდებოდა 40-50 წთ. მიღებულ კონცენტრირებულ ხსნარში $MnSO_4$-ის კონცენტრაცია აღწევდა 400-430 გ/ლ, რაც სრულიად საკმარისია აღნიშნულ ხსნარიდან კრისტალური მანგანუმის სულფატის მონოჰიდრატის მისაღებად.

ჩატარებული კვლევების საფუძველზე შემუშავებულია საქართველოს მანგანუმშემცველი ნედლეულიდან მანგანუმის სულფატის კონცენტრირებული ხსნარების მიღების საწარმოო ტექნოლოგია, რომელსაც ესპანური ფირმის „სეგაზას“ მიერ რუსთავში დანერგილი ემდ–ის წარმოების საელექტროლიზე ხსნარების მიღების პროცესთან შედარებით 15-მდე უპირატესობა გააჩნია.

კრისტალიზაციის მეთოდის შერჩევა და შესაბამისი ცდებით მისი ოპტიმიზაცია გათვალისწინებულია 2016 წელს თემის II ეტაპის შესრულებისას.

(ეტაპის ანგარიში სრულად იხ.დანართში 13).

4.	**I I ქვეპროგრამის ფარგლებში:** **მიმართულება 2:** მანგანუმშემცველი ნედლეულის ქიმიურ-ტექნოლოგიური გადამუ-შავებით ელექტროლიზური მანგანუმის დიოქსიდისა (ემდ) და სხვა პროდუქტების მიღების ტექნოლოგიები. **პროექტი:** "კოროზიამედეგი მანგანუმშემცველი შენადნო-ბებისა და კომპოზიციური დანაფარების ელექტრო-ქიმიური საფუძვლების დამუშავება"; (2015-2019) **გარდამავალი ეტაპი** **(2015-2016წწ.)** : "მანგანუმ-თუთიის და მანგანუმ-თუთია-სპილენ-ძის შენადნობების ელექ-ტროგამოლექვის კანონ-ზომიერების შესწავლა კომპლექსწარმომქმნელი რეაგენტის შემცველი ხსნარებიდან და მათი ქიმიური, ფაზური სტრუქ-ტურის და კოროზიული მდგრადობის შესწავლა ელექტროლიზის პირო-ბებისაგან დამოკიდებუ-ლებით".	მთ. მეც. თან. გ.წურწუმია	უფ. მეც.თან. ნ.ქოიავა ი.კახნიაშვილი მეც.თან. დ.გოგოლი მ.ზაქარაია ინჟ. ნ.ჯოხაძე

1. ორწლიანი (2015-2016წწ.) ეტაპის მიზანი და ამოცანები

სამუშაოს მიზანს წარმოადგენს კოროზიამედეგი და სხვა ფუნქციონალური თვისებების მქონე მანგანუმშემცველი შენადნობების (Zn - Mn, Mn-Cu, Mn-Zn-Cu) გალვანური დანაფარების მიღება; გამოსალექი ელექტროლიტების ოპტიმალური და სტაბილური შემადგენლობის დადგენა და ელექტროლიზის ძირითადი პარამეტრების (დენითი გამოსავალი, კათოდური დენის სიმკვრივე, ხსნარის pH, ტემპერატურა, დანაფარის დრო) გავლენა ხარისხიანი დანაფარების მიღებაზე; მიღებული დანაფარების მორფოლოგიის, სტრუქტურის და ფიზიკო-ქიმიური თვისებების – პლასტიკურობის, ფორიანობის და კოროზიული ქცევის შესწავლა.

<u>შესრულებული სამუშაოს (გარდამავალი) მოკლე ანგარიში</u>

თუთია–მანგანუმის (11-50%) ელექტროლიტური შენადნობები ხასიათდებიან პროტექტორული თვისებებით და ხასიათდებიან მაღალი კოროზიული მედეგობით სუფთა თუთიის დანაფარებთან შედარებით, რომლებიც ფართოდ გამოიყენება ფოლადის ნაკეთობების დასაცავად კოროზიისაგან. თუთიის ლეგირება არადეფიციტური მეტალური მანგანუმით, რომლის სტანდარტული პოტენციალი უფრო უარყოფითია თუთიის ანალოგიურ სიდიდესთან შედარებით, განაპირობებს ფოლადების ეფექტურ დაცვას კოროზიისაგან. Zn-Mn შენადნობების ელექტროლიტური მიღების პიონერული კვლევები ჩატარებული იყო აკად. რ.

აგლაძის და მ. გძელიშვილის მიერ ჯერ კიდევ გასული საუკუნის ორმოციან წლებში. ამჟამად სამეცნიერო ლიტერატურაში გამოქვეყნებულ სამუშაოებში Zn-Mn გალვანური დანაფარების მიღებას ატარებენ ძირითადად სულფატური ხსნარებიდან, რომლებშიც კომპლექსაგენტებად გამოყენებულია ციტრატი და ЭДТА. ამ და სხვა სამუშაოებში, რომლებიც ეხება მანგანუმის შემცველი შემადნობების ელექტროგამოლექვას, მთავარი ნაკლი და პრობლემა არის გამოყენებული ელექტროლიტის არასტაბილურობა, ტოქსიკურობა და ძლიან დაბალი დენითი გამოსავალი.

არსებული სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული განხილვის საფუძველზე, სამუშაოს პირველ ეტაპზე, დადგინდა ციტრატშემცველი სულფატური ელექტროლიტების სტაბილურობა, რომელიც აღმოჩნდა არამარტო შედგენილობისაგან, არამედ pH-ისაგნ დამოკიდებული. სტაბილური შედგენილობის ელექტროლიტებიდან შესწავლილია მანგანუმ-თუთია, მანგანუმ-სპილენძის, და პირველად სამეცნიერო ლიტერატურაში, სამმაგი შენადნობის მანგანუმ-სპილენძი-თუთიის შენადნობების ხარისხიანი დანაფარების ელექტროგამოლექვის პროცესი. დადგენილია კათოდური დენის სიმკვრივის, ელექტროლიტის pH-ის, ლიგანდის კონცენტრაციის გავლენა დანაფარის ქიმიურ შედგენილობაზე, მორფოლოგიაზე და სტრუქტურაზე. დანაფარების ქიმიური შედგენილობა ისაზღვრებოდა რენტგენოფლუორესცენტული ანალიზის მეთოდით ხელსაწყოზე Delta-Analyzer «INNOV-X SYSTEMS» (აშშ) და რენტგენის ენერგოდისპერსული მიკროსპექტრული ანალიზატორით JSM 6510 LM (იაპონია). შენადნობების მორფოლოგიის და სტრუქტურის შესწავლისათვის გამოყენებული იყო, შესაბამისად, მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპი JEOL (იაპონია) და რუსული წარმოების დიფრაქტომეტრი Дрон-4 (სპილენძის ანოდი Kα-გამოსხივება λ =1.54184 Å). ამ ეტაპის სამუშაოს ძირითადი შედეგები, როგორც ეს გეგმაშია გაწერილი, ასახული იქნება მისი დასრულების დროს - 2016წ.

(ეტაპის ანგარიში სრულად იხ.დანართში 14).

5.	**I I ქვეპროგრამის ფარგლებში:** **მიმართულება2:** მანგანუმშემცველი ნედლეულის ქიმიურ-ტექნოლოგიური გადამუშავებით ელექტროლიზური მანგანუმის დიოქსიდისა (ემდ) და სხვა პროდუქტების მიღების ტექნოლოგიები. **პროექტი:** მრავალფუნქციური თვისებების მქონე გალვანური დანაფარების მიღება წყალხსნარებიდან სხვადასხვა მასალაზე (2015-2017) **2015 წლის ეტაპი:** ალუმინისა და სპილენძის ზედაპირებზე სპეციფიური თვისებების მქონე ნიკელისა და მისი შენადნობების დანაფარების მიღება	თ.მარსაგიშვილი	პასუხისმგებელი შემსრულებელი – მ. გაჩეჩილაძე, ნ. ანანიაშვილი გ. ტატიშვილი ჯ.მეტრეველი ე. ცხაკაია რ.ხოსიტაშვილი

მიღებულია ნიკელისა და ნიკელ-ვოლფრამის დანაფარები სპილენძსა და ალუმინის შენადნობებზე. შესწავლილია მიღებული ნიმუშების ზოგიერთი ფიზიკო-მექანიკური თვისებები, სტრუქტურა და შემადგენლობა მათ მაღალტემპერატურულ დამუშავებამდე და მის შემდეგ.

დადგენილია, რომ ნიმუშები ხასიათდებიან მაღალი ადგეზიით ფუძესთან მაღალტემპერატურული დამუშავების შემდეგაც.

(ეტაპის ანგარიში სრულად იხ.დანართში 15)

6.	**I I ქვეპროგრამის ფარგლებში:** **მიმართულება 3** რადიაციული ქიმია **პროექტი:** მცირე დოზების გამა-გამოსხივების და ოზონის ზემოქმედებით ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურის (ბოსტნეულის) თესლების წინასწარი დამუშავება აღმოცენების ინტენსიფიცირებისა და მოსავლიანობის გაზრდის მიზნით (2015-2016 წ.წ.) **2015 წლის ეტაპი:** ოზონის, როგორც რადიაციის თანმდევი პროდუქტის, ზემოქმედებით ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურის (ბოსტნეულის) თესლების წინასწარი დამუშავება აღმოცენების ინტენსიფიცირებისა და მოსავლიანობის გაზრდის მიზნით	ქიმ.მეცნ. დოქტორი რ.თუშურაშვილი	მ.ფანჩვიძე, გ.ხიდეშელი, ც.ბასილაძე, მ.მამარდაშვილი, გ.შანიძე, ნ.კვირკველია, ე.თუშურაშვილი, ვ.მაცაბერიძე
შესწავლილია ოზონის გავლენა ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურის (კიტრის და პომიდორის) თესლებზე მათი აღმოცენების ინტენსიფიცირებისა და მოსავლიანობის გაზრდის მიზნით. დადგენილია, რომ ოზონირებული წყლით და ოზონ-ჰაერის ნაკადით ამ კულტურების			

თესლების დამუშავება ახდენს მათი აღმოცენების ინტენსიფიცირებას, რაც გამოიხატება როგორც მცენარეთა ფოთლების უფრო მეტ ფართობში, ასევე უფრო მეტ სიმაღლეში. ეს მიუთითებს ოზონის გამოყენების პერსპექტიულობაზე სოფლის მეურნეობაში, კერძოდ მეთესლეობაში.

(ეტაპის ანგარიში სრულად იხ.დანართში 16).

7.	**I I ქვეპროგრამის ფარგლებში:** **მიმართულება 4:** ლღობილთა ელექტროლიზი; **პროექტი:** ალუმინის და მისი შენადნობების კოროზია, ცვეთა და თერმომედეგი დაბალტემპერატურული გალვანური დანაფარების მიღების პროცესის მეცნიერული საფუძვლების დამუშავება (2015-2016 წ.წ.). **2015 წლის ეტაპი**: დაბალტემპერატურული ნალღობი ელექტროლიტი ალუმინის კოროზია და თერმომედეგი გალვანური დანაფარების მისაღებად	ნოდარ გასვიანი	გ. ყიფიანი ს.გასვიანი ლ. აბაზაძე მ. ხუციშვილი ც. გაბისონია ნ. სხილაძე

შემოთავაზებულია დაბალტემპერატურული (~100^{0}C) ნალღობი ელექტროლიტი, რომელშიც შესაძლებელია ალუმინის გალვანური დანაფარების მიღება ამჟამად არსებული მაღალტემპერატურული (700-1100^{0}C) ნალღობი ელექტროლიტების ნაცვლად.

პირველად პრაქტიკაში 95-110^{0}C ტემპერატურებზე მიღბულია ალუმინის გალვანური დანაფარები ფოლადებზე СТ-3, СТ-40, Х-18 აგრეთვე 25ХМФ და 35МФ ფოლადებისაგან დამზადებულ ლითონთა დამაკავშირებელი ხრახნიანი პროფილის (ჭანჭიკები და ქანჩები) ნაკეთობებზე. შემოთავაზებულ დაბალტემპერატურულ ნალღობში მიღებული ალუმინის გალვანური დანაფარები გამოირჩევიან მრავალი უპირატესობებით.

ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ალუმინის დამაკმაყოფილებელი დანაფარები მიიღება შემდეგი პირობების დაცვით: ტემპერატურა (100-110)^{0}C; ელექტროლიზის ხანგრძლივობა (25-45)წთ; კათოდური დენის სიმკვრივე (0,03-0,1)ა/სმ^2 ზღვრებში. ამ პირობებში მიიღება ნათელი, მოვერცხლისფრო, სარჩულთან კარგი ადგეზიის მქონე დანაფარები, რომელთა სისქე (20-30)მკმ-ია.

აქტუალურია, აგრეთვე, სტრატეგიული მნიშვნელობის ლითონთა (Ti, Zr, Hf, Ta, Nb, Mo, W და

სხვ.) გალვანური ალუმინირება, ტექნიკის სხვადასხვა სფეროში გამოყენების მიზნით. ეს ლითონები არიან მხურვალმტკიცე – მაღალ ტემპერატურაზე (400-1500^{0}C) უძლებენ დიდ დატვირთვებს, მაგრამ არ არიან მხურვალმედეგნი – მაღალ ტემპერატურაზე განიცდიან კოროზიას. მიღებულია მაღალი ხარისხის ალუმინის დანაფარები ლითონებზე - Ti, Ta, Mo.

პლასტმასების თერმული არამდგრადობის გამო მაღალტემპერატურულ გალვანოტექნიკაში მათი ალუმინით დაფარვა შეუძლებელია. ჩვენს მიერ შემოთავაზებულ დაბალტემპერატურულ (~100^{0}C) ნალღობში, პირველად პრაქტიკაში გახდა შესაძლებელი მრავალი სახის პლასტმასის, რომელთა თერმომედეგობა აღემატება 100^{0}C ტემპერატურას, გალვანური ალუმინირება.

აღნიშნულ პრობლემებზე ჩატარებული კვლევების შედეგებმა დაგვარწმუნა, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია შემოთავაზებულ ელექტროლიტში გალვანური ალუმინირებით.

(ეტაპის ანგარიში სრულად იხ.დანართში 17).

8.	**I I ქვეპროგრამის ფარგლებში:** **მიმართულება5:** <u>ადგილობრივი წიაღისეულ-ლისა და მინერალური ნედ-ლეულის ქიმიური გადამუ-შავების ტექნოლოგიების მიმართულება</u>**:** **პროექტი:** „ჭიათურის მანგანუმის ლამების (მანგანუმის შემცველი კუდების) ქიმიური გადამუშავება“(2013-2015)	ბ.ფურცელაძე - მთავარი მეცნ. თან., ტექნ. მეცნ. აკად. დოქტ.	უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი: მ. ავალიანი, რ. ჩაგელი\შვილი ლ. ბაღათურია, მეცნ. თანამ. ნ. ბარნოვი, მ. გველესიანი ინჟინერი: ე. შო\შიაშვილი, ი. ჩხაიძე, მ. სვანიძე

შემუშავებულია პროცესის განხორციელებისთვის ორიგინალური აპარატების კონსტრუქცია, რომლებიც საიმედოა ხანგრძლივი ექსპლუატაციის დროს.

პილოტურ დანადგარზე მიმდინარეობს მანგანუმის კარბონატული მადნების გამოტუტვა აზოტმჟავაში, ფილტრაცია, ძირითადი პროდუქტის მინარევების დალექვა და 500°C-ზე გამოწვის შემდეგ მანგანუმის კონცენტრატების მიღება, შემდეგი პროცენტული შემცველობით: Mn-60%, Ca-0,6%, Mg-1,1%.

შესწავლილია მანგანუმის ოქსიდური მადნების და ლამების გადამუშავების ტექნოლოგია, სადაც გამოყენებულია გოგირდმჟავა და გოგირდის დიოქსიდი. მანგანუმის გადასვლის ხარისხია 95%.

ტექნოლოგია შემოწმდა ლაბორატორიულ პილოტურ დანადგარზე, რომლის გამოყენების დროს მიღებულია დაახლოებით 20ლ სულფატური ხსნარი. აღნიშნული ხსნარიდან მიღებულია მანგანუმის კონცენტრატები 6,6კგ ოდენობით (Mn_2O_3, Mn-66%).

მანგანუმის კონცენტრატების და ტუტის ლღობით მიღებული იქნა ნატრიუმის მანგანატი. შემდგომში დაგეგმილია ოზონატორის დამონტაჟება სავარაუდოდ, 50% - 60 გ/სთ წარმადობით, რის შედეგადაც ჩატარდება გამსხვილებული ცდები, გამოვლინდება პროცესის ოპტიმალური პირობები და მოხდება მიღებული პროდუქტის სერტიფიკაცია.

(ეტაპის ანგარიში სრულად იხ.დანართში 18).

9.	**I I ქვეპროგრამის ფარგლებში:** **მიმართულება 5:** ადგილობრივი წიაღისეულისა და მინერალური ნედლეულის ქიმიური გადამუშავების ტექნოლოგიების მიმართულება **პროექტი:** ბაზალტის ბოჭკოს შემზე-თების შემუშავება სხვადასხვა დანიშნულების კომპოზიტე-ბისათვის **2015 წლის ეტაპი:** სხვადასხვა შემზეთი ემულსიით დამუშავებული გამყარებული ბაზალტის ნალღობის ზედაპირზე ორგანული ფისების ადგეზიის სიდიდის დადგენა	ვაჟა ჩაგელიშვილი	პასუხისმგებელი შემსრულებელი – ჯ. მეტრეველი ნ. ანანიაშვილი მ. გაჩეჩილაძე ე. ცხაკაია რ. ხოსიტაშვილი

ჩატარებულია ლიტერატურის ანალიზი ბაზალტის ბოჭკოსათვის ოპტიმალური შემზეთისა და დამატებითი ორგანული აფსკის შესარჩევად.

შერჩეულია და ჩატარებული ცდების საფუძველზე ათვისებულია, სტაბილური მდგრადობის სამი სახის შემზეთი ემულსიის შემადგენლობა, მათი დამზადების პირობები, ცალკეული შემზეთი ემულსიის მდგრადობის პირობები და ხანგრძლივობა.

ბრტყელ ზედაპირებზე შემზეთი ემულსიების ერთგვაროვანი და სასურველი რაოდენობით დაფენის მიზნით, აწყობილ იქნა სპეციალური მოწყობილობა. ზედაპირზე სასურველი რაოდენობის, თანაბარი სისქის და კვლავწარმოებადი დანაფარის მიღების მეთოდი დამუშავებული იყო ჯერ, სხვადასხვა კონცენტრაციის წყალში ხსნადი ორგანული ნაერთების ხსნარებით, ხოლო შემდეგ ახლად დამზადებული შემზეთი ემულსიების ხნარებით.

მეთოდიკის ჩამოყალიბებამ აჩვენა, რომ კვლავწარმოებადი მონაცემები მიიღება გამფრქვევში შემზეთი ემულსიის ჩასხმიდან 2÷4 წუთის განმავლობაში, ყოველი დაფრქვევა უნდა განხორციელდეს ერთჯერადად.

(ეტაპის ანგარიში სრულად იხ.დანართში 19).

10.	**I I ქვეპროგრამის ფარგლებში:** **მიმართულება 6:** არაწყალხსნართა ელექტროქიმიის მიმართულება **პროექტი:** პროტონული გამხსნელებიდან (წყალი, ეთანოლი, ეთილენგლიკოლი) მედიცინაში გამოყენებადი ბენზოლ-კარბონმჟავების, პირიდინისა და პირიმიდინის რიგის ორგა-ნულ ნაერთთა ადსორბციული უნარის შესწავლა. **2015 წლის ეტაპი:** პირომელითის მჟავას ადსორბციული უნარის შესწავლა ვერცხლისწყალზე	ჭელიძე თამარი	ი. გურგენიძე

საანგარიშო პერიოდში შესწავლილი იქნა პირომელიტის მჟავას ელექტროქიმიური თვისებები

ვერცხლისწყლის ზედაპირზე წყალხსნარებიდან. აღნიშნული მჟავა, რომელიც ფართოდ გამოიყენება მედიცინაში, მიეკუთვნება პოლიკარბონმჟავათა კლასს ოთხი კარბოქსილის ჯგუფით C-1, C-2, C-4 და C-5 მდგომარეობაში. კვლევები ტარდებოდა წყალხსნარში ვერცხლისწყლის ელექტროდზე დიფერენციალური ტევადობის ელექტროდის პოტენციალისაგან დამოკიდებულების გაზომვით. ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე დადგენილი იქნა, რომ პირომელიტის მჟავა ადსორბირდება ელექტროდის უარყოფითი მუხტის დაბალ მნიშვნელობებზე. გათვლილი იქნა ატრაქციული მუდმივა, ადსორბციის წონასწორული მუდმივა, ადსორბციის ზღვრული მნიშვნელობა და სტანდარტული ადსორბციის თავისუფალი ენერგია.

(ეტაპის ანგარიში სრულად იხ.დანართში 20).

11.	**I I ქვეპროგრამის ფარგლებში:** **მიმართულება 7:** ჰიდრომეტალურგიული კვლევები **პროექტი:** სპილენძ–კოლჩედანური საბადოების კარიერული წყლების გაწმენდა–გადამუშავება **ეტაპი** – 2015წ. „კარიერული წყლებიდან სულფიდების გამოლექვის ოპტიმალური პარამეტრების დადგენა; გამოლექვის პროცე-სის პრინციპული ტექნოლო-გიური სქემის შემუშავება	რუსუდან დუნდუა ტექნ. მეცნ. კანდიდატი.	ნანა ბუთლიაშვილი, მეცნიერ-თანამშრომელი.

განისაზღვრა BaS–ის ხარჯი ლითონთა იონებისაგან გასაწმენდად კარიერული წყლების თითოეული ნიმუშისათვის.

დადგინდა კარიერული წყლებიდან ლითონთა იონების გამოლექვის ოპტიმალური პარამეტრები: pH, BaS –ის ხარჯი, სულფიდების სრული გამოლექვის ხანგრძლივობა.

ჩატარდა კარიერული წყლების გაწმენდა მსხვილ ლაბორატორიულ მასშტაბში. სულ გაიწმინდა ~35 ლ კარიერული წყალი. მიღებულია ~ 460 გ პოლილითონური სულფიდური ნალექი. ქიმიური ანალიზის საფუძველზე გათვლებით დადგინდა ბარიტ-პოლილითონური სულფიდური ნალექის ნივთიერი შედგენილობა. ძირითადი კომპონენტები ნალექში შემდეგია (%): CuS - 5.14; ZnS -2.71; FeS -2.67; CdS -0.01; $CaSO_4$ – 2.14; $BaSO_4$-75.6. ნალექი წვრილდისპერსულია.

გაწმენდის შედეგად მიღებულ ხსნარებში ლითონთა სულფატების შემცველობები ნაკლებია

ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებზე წყალსაცავებისათვის.

მიღებული შედეგების საფუძველზე შედგენილი იქნა კარიერული წყლების გაწმენდა-გადამუშავების პრინციპული ტექნოლოგიური სქემა. იგი, სავარაუდოდ, მოიცავს შემდეგ ოპერაციებს: კარიერული წყლებიდან სულფიდების გამოლექვას ბარიუმის სულფიდის გამოყენებით; სუსპენზიის დაწდობას და გაწმენდილი წყლის მიმართვას ტექნიკური მიზნებისათვის ან ჰიდროგრაფიულ ქსელში; ნალექის შერევას ადგილზე წარმოებული სულფიდური მადნის გამდიდრების პროდუქტთან დანამატის სახით ან გაშრობის შემდეგ მის გადაცემას მეტალურგიული წარმოებისათვის.

ტექნოლოგიური სქემა არის მარტივი, არ საჭიროებს დიდ კაპიტალურ დაბანდებებს.

(ეტაპის ანგარიში სრულად იხ.დანართში 21).

12.	**I I ქვეპროგრამის ფარგლებში:** **მიმართულება 8:** კატალიზი **პროექტი:** ნანოკომპოზიციურ-დანაფარებიანი ოქსიდურ-გრანულოვანი და მეორად სარჩულიანი მეტალური კატალიზატორების სინთეზი და კვლევა წყალბადის მიღებისა და აირგამწმენდი პროცესებისათვის **ეტაპი 2015 წ.** მეორად სარჩულიანი ოქსიდურ-გრანულოვანი და მეტალური კატალიზატორების გამოკვლევა CO_2 -ით მეთანის კონვერსიისა და CO -ს დაჟანგვის რეაქციებში	ტ.მ.კ. მთ. მეცნ. თან. ვ.ბახტაძე	ტ. მ. კ.: ვ. მოსიძე,. ნ. ხარაბაძე , ნ. ჩოჩიშვილი, რ. ჯანჯღავა, ინჟინერი მ. ფაჯიშვილი, მეცნ .თანამშრომელი

ჩატარდა მეორადსარჩულიან ოქსიდურ-გრანულოვან ($CaO. 2 Al_2O_3$) სარჩულზე დაფენილი 0, 05 - 0,5 მას.% Pd -ის შემცველი ნიმუშების წყალბადით ადსორბციული გაზომვები. ნაჩვენებია, რომ 400 °C ტემპერატურაზე წყალბადით აქტივაციისას, Pd -ის ნაწილაკების დისპერსულობა 29-34 Å -ის ფარგლებშია.

ნიტრატული წყალხსნარებიდან იონური დიფუზიით მომზადდა მანგანუმის ოქსიდების შემცველი მეორადსარჩულიანი " 20 X 23 H 18" მარკის უჟანგავი ფოლადის ფირფიტები. შრობისა და 400 °C ტემპერატურაზე თერმოდამუშავების შემდეგ, პალადიუმის ქლორიდის წყალხსნარებიდან ფირფიტების ზედაპირულ ფენაში Pd -ის იმპლანტირებით დამზადდა Mn -Pd -ის კატალიზატორების ნიმუშები. ჩატარდა მომზადებული ნიმუშების რენტგენოფაზური ანალიზები, ზედაპირის მორფოლოგიური კვლევა და ელემენტური ანალიზი ISM - 6510 LV მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპის გამოყენებით. განისაზღვრა მანგანუმისა და პალადიუმის კონცენტრაციები ფირფიტების ზედაპირული ფენის სხვადასხვა უბანზე. მეტალურ სარჩულზე დამზადებული Mn -Pd -ის კატალიზატორის ნიმუშებზე CO -ს დაჟანგვის ხარისხი (W = 30 ათასი სთ$^{-1}$, T = 100-200 °C) შეადგენს 95 - 100%-ს . ჩატარდა მეთანის CO_2 -ით კონვერსიის პროცესში 40-50 საათის ხანგრძლივობით ნამუშევარი 4 Co - Mn კატალიზატორის ნიმუშების თერმული ანალიზები. ნაჩვენებია, რომ CH_4 / CO_2 თანაფარდობისას 1,0 :1,5 -დან 1,0 : 1,2 - მდე

კატალიზატორში შენარჩუნებულია კობალტისა და მანგანუმის შემცველობა მეტალური კობალტისა და მანგანუმის ჟანგ- ქვეჟანგის ($MnO - Mn_3O_4$) სახით, რაც დასტურდება შესაბამისი წონის მატების ეფექტებით 160 – 450 °C ტემპერატურულ ინტერვალში " ტგ" მრუდზე. CH_4 / CO_2 თანაფარდობის შემცირება 1,0 : 1,1 -მდე იწვევს კატალიზატორის დანახშირებას კონვერსიის პროცესში, რის გამოც 400 – 800 °C - ტემპერატურულ ინტერვალში შეინიშნება ნიმუშის წონის ინტენსიური კლება და შესაბამისად ნახშირბადის წვის ეფექტები.

(ეტაპის ანგარიში სრულად იხ.დანართში 22).

13.	**I I ქვეპროგრამის ფარგლებში:** **მიმართულება 9:** არაორგანული პოლიმერები **პროექტი:** არაორგანული პოლიმერების- კონდენსირებული ფოსფა-ტების სინთეზი და ფუნდამენტური კვლევა **ეტაპი 2015 წ.** არაორგანული პოლიმერების : კალიუმ-სკანდიუმის და ნატრიუმ-სკანდიუმის კონდენსირებული ფოსფატების საკრისტალიზაციო არეების დადგენა და სინთეზის ოპტიმალური პირო-ბების კვლევა ზოგადი კანზომიერებების დადგენის მიზნით	მარინე ავალიანი, აკად. დოქტ., უფრ. მეცნ. თან.	მ. გველესიანი ბ. ფურცელაძე ნ. ბარნოვი რ. ჩაგელიშვილი ე. შოშიაშვილი ვ. კვესელავა პ. ნიკოლეიშვილი გ. გორელიშვილი

2015 წელს ჩატარებულია მრავალკომპონენტიანი სისტემების კვლევები ფოსფორმჟავა არეში სამვალენტიანი მეტალების- გალიუმის, ინდიუმის და სკანდიუმის, ასევე ტუტე მეტალების Na და K ინკლუზიით კონდენსირებული ფოსფატების მისაღებად. ამ მიზნით 120-130-დან 310°C ტემპერატურულ ინტერვალში შესწავლილია მრავალკომპონენტიანი სისტემები M^{I}_2O-$M^{III}_2O_3$-P_2O_5-H_2O (სადაც M^{I} – ნატრიუმი და კალიუმია, ხოლო, M^{III} - გალიუმი, ინდიუმი და სკანდიუმი) ; სინთეზი ტარდებოდა კომპონენტების სხვადასხვა მოლური თანაფარდობისას. სინთეზის ხანგრძლივობასთან კორელაციაში და ტემპერატურული ინტერვალების სკრუპულიოზური, ოპტიმალური შერჩევით მიღებულია ახალი სხვადასხვა ტიპის ორმაგი კონდენსირებული ფოსფატები, ანუ ეგრეთწოდებული არაორგანული პოლიმერები.

დადგენილია, ტემპერატურული ინტერვალების ოპტიმალური შერჩევის საფუძველზე, ახალი კონდენსირებული ნაერთების შედგენილობა და ამ შედგენილობის დამოკიდებულება საწყის მოლურ თანაფარდობაზე.

ზემოაღნიშნულ მრავალკომპონენტიან სისტემების კვლევისას მიღებულია ახალი, კონდენსირებული ორმაგი ნაერთების შედგენილობა. რენტგენოფაზური ანალიზის და გრავიმეტრული მეთოდის, ასევე ქაღალდის ქრომატოგრაფიის გამოყენებით. გაანალიზებულია მიღებული შედეგები, რომლებიც შედარებულია უახლეს, ინტერნეტით თუ

	ბეჭდური სამეცნიერო გამოცემების მონაცემებთან და დადგენილია მათი კორელაცია ჩვენს მიერ ადრე მიღებულ ნაერთებთან, მათ შორის მსოფლიოში პირველად სინთეზირებულ გალიუმის, ინდიუმის და სკანდიუმის ციკლოოქტაფოსფატებთან, აგრეთვე ჩვენსავე მიერ მიღებულ ციკლოდოდეკაფოსფატებთან, ორმაგ მჟავა დი-, ტრიფოსფატებთან; ეს ნაერთები მრავალი განსაკუთრებული თვისების მატარებელია, რაზეც მოგვეპოვება ოფიციალური დადასტურება. აღნსანიშნავია ჩვენს მიერ სინთეზირებულ ნაერთებზე ვრცელი რეფერირება ნიუ იურკში ახლახანს გამოცემულ პროფ. ანდრე დიურიფის უმნიშვნელოვანეს მონოგრაფიაში, ასევე მრავალი ციტირება / რეფერირება უცხოურ მაღალრეიტინგულ სამეცნიერო გამოცემებში. ხაზგასასმელია, რომ სწორედ იმ ფაქტის გამო, რომ აღნიშნული ნაერთები არაორგანული პოლიმერების კლასს მიეკუთვნებიან, მათი გამოყენების პერსპექტიულობა სხვადასხვა სფეროში უეჭველია. კერძოდ: პოლიფოსფატების თერმოგამძლეობის გამო რეკომენდირებულია კონდენსირებული ნაერთების გამოყენება საბაზო კომპონენტად ფოსფორული მინების წარმოებისას. მაღალი კვანტური გამოსავალი განსაზღვრავს ულტრაფოსფატების და ორმაგი პოლიფოსფატების გამოყენებას კვანტურ ელექტრონიკაში, რაც სავსებით გამართლებულია ეკოლოგიური თვალსაზრისითაც. უნიკალური არაორგანული პოლიმერები – კონდენსირებული ფოსფატები გამოიყენება მაცემენტებელი და შემკვრელების მასალების წარმოებისას.ჩვენს მიერ მიღებული ზოგიერთი ნაერთის გამოცდისას კატალიზურ აქტიურობაზე დადგინდა, რომ ისინი აქტიურობით აღემატება ცეოლიტურ კატალიზატორს, ზოგიერთი - საუკეთესო კატალიზატორია ოლეფინური ნახშირწყალბადების მიღებისას. ნაერთებს გააჩნიათ სტრუქტურულად დიდი ღრუები, რაც მათი ადსორბენტად გამოყენების კარგ შესაძლებლობას იძლევა დაბალმოლეკულური გაზების დასაყოფად, ამასთანავე ფრიად გამართლებულია ახალი ტექნოლოგიების და ახალი მიდგომების, თუნდაც ნანოტექნოლოგიების განვითარების ჭრილში; ახალი ნაერთების სინთეზის, ასევე ზემოთ აღნიშნულ სამუშაოთა ჩატარება დაგეგმილია მომავალში, რაზეც გვაქვს წინასწარი მოლაპარაკება მომიჯნავე სფეროში მომუშავე ლაბორატორიებთანაც. **(ეტაპის ანგარიში სრულად იხ.დანართში 23).**		
14.	**I I ქვეპროგრამის ფარგლებში:** **მიმართულება 10:** ცეცხლდამცავი მასალების შემუშავება **პროექტი:** „ახალი ტიპის, ეკოლოგიურად უსაფრთხო ცეცხლმაქრი და ცეცხლდამცავი მასალების შემუშავება ადგილობრივი მინერალური ნაედლეულისა და მათი ნარჩენების საფუძველზე“. (2015 – 2019 წწ.) **2015 -2016 წლების ეტაპი:** „ახალი ტიპის, ეკოლოგიურად უსაფრთხო ცეცხლმაქრი	უფრ.მეც.თან. ლ.ღურჭუმელია	უფრ.მეც.თან. ზ.ხუციშვილი; უფრ.მეც.თან. მ. ცარახოვი მეც.თან. ლ. ნადარეიშვილი;

	ფხვნილების დამზადება მინერალური ნედლეულის (ცეოლითების, პერლიტებისა და თიხაფიქლების) საფუძველზე და მათი ექსპლოატაციური თვისებებისა ცეცხლმაქრი უნარის შესწავლა“.		
ადგილობრივი მინერალური ნედლეულის: ცეოლითების, პერლიტებისა და თიხაფიქლების საფუძველზე დამზადებულია ახალი ტიპის, უჰალოგენო, ეკოლოგიურად უსაფრთხო, კომპოზიციური ცეცხლმაქრი ფხვნილები. შესწავლილია მათი ექსპლოატაციური მახასიათებლები: ფხვნილის დისპერსიულობა; ფხვნილის დენადობა; ტენშემცველობა და ტენიანობისადმი მიდრეკილება; ტკეპნადობისა და კოშტვისადმი მიდრეკილება. შერჩეულია ოპტიმალური დისპერსულობა 200-250 მკმ-მდე, როდესაც კოშტვისადმი მიდრეკილება არის მინიმალური, ხანძრის კერაში მიწოდება მოსახერხებელია, ამავე დროს ნაწილაკების ზომები არის დამაკმაყოფილებელი მათი სწრაფი გაცხელებისა და დესტრუქციისათვის, ე.ი. ადგილი აქვს როგორც დესტრუქციისას წარმოქმნილი პროდუქტების ალზე ჰომოგენურ ზემოქმედებას, ასევე წვის პროცესების ჰეტეროგენულ ინჰიბირებას. შემუშავებულია მათი დამზადების ტექნოლოგიური სქემა. ხანძრების განვითარების ნორმატიული პირობების გათვალისწინებით შემუშავებულია ცეცხლჩამქრობი უნარის განსაზღვრის ლაბორატორიული (ექსპერიმენტალური) მეთოდიკა და დამზადებულია შესაბამისი დანადგარი. **(ეტაპის ანგარიში სრულად იხ.დანართში 24).**			
1	**III ქვეპროგრამის ფარგლებში:** **მიმართულება 1:** ფიზიკურ - ქიმიური კვლევის მიმართულება **პროექტი:** ტოქსიკური ელემენტების განსაზღვრა სხვადასხვა ბიოლოგიურ მასალაში სეზონურობისა და ნიადაგის თავისებურებების გათვალისწინებით და მედიცინასა და ფარმაკოლოგიაში გამოყენებული ზოგი-ერთი ნივთიერების ელექტრო-ქიმიური შესწავლა **თემა 1:** მძიმე ლითონების განსაზღვრა სხვადასხვა ბიოლოგიურ მასალაში სეზონურობისა და ნიადაგის თავისებურებების გათვალისწინებით **2015 წლის ეტაპი:** მძიმე ლითონების შემცველობის დადგენა ცხოველთა ბეწვში საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში არსებული საძოვრების სისუფთავის ხარისხის დადგენისათვის	ჭელიძე თამარი	ენუქიძე ლიანა ჩანკაშვილი მანანა ლოლაძე თეონა
სამუშაო ეძღვნება ცხოველის ბეწვში მძიმე ლითონების შემცველობის განსაზღვრას			

	საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. სამუშაოში გამოკვლეულია მძიმე ლითონები - ტყვია, კადმიუმი, სპილენძი და თუთია ძროხის ბეწვში, რომელიც აღებული იქნა დასავლეთ საქართველოში სოფელ ქუტირში (ხონის მუნიციპალიტეტი). კვლევები ჩატარებული იქნა დიფერენციალურ-იმპულსური პოლაროგრაფიის მეთოდით. კვლევები ჩატარებული იქნა დიფერენციალურ-იმპულსური პოლაროგრაფიის მეთოდით. სინჯები აღებული იქნა სეზონურად გაზაფხულსა და შემოდგომაზე. ნაჩვენები იქნა, რომ აღნიშნული მიკროელემენტების რაოდენობრივი შემცველობა ძროხის ბეწვში მცირდება გაზაფხულიდან შემოდგომამდე საშუალოდ 1.5-2-ჯერ. დადგენილი იქნა, რომ სოფელ ქუტირში სპილენძის, ტყვიისა და კადმიუმის კონცენტრაცია ძროხის ბეწვში არ აღემატება ნორმას. მხოლოდ თუთიის კონცენტრაცია აღმოაჩნდა ნორმაზე მაღალი (საშუალოდ 308 ÷ 426 მგ/კგ) გამოკვლეული ძროხების ნახევარს, რომელთა ასაკი შეადგენს 4-6 წელს, ხოლო შედარებით ახალგაზრდა ძროხებში არ აღემატება 196 მგ/კგ-ს. გარდა ამისა, ჩავატარეთ ძროხების საკვების ანალიზი, როგორც საძოვრებიდან შეგროვილი ბალახის, ასევე ქატოსი, რომელსაც ძროხები იყენებდნენ ზამთრის თვეებში. ორივე შემთხვევაში ყველა შესწავლილი ლითონის კონცენტრაცია არ აღემატებოდა საერთაშორისო ნორმებს. ფერმერებთან პირადი ურთიერთობის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ თუთიის სულფატის მონოჰიდრატს ხსნიდნენ სასმელ წყალში დასაშვებზე მეტი რაოდენობით. ეს უკანასკნელი კი იწვევდა ძროხების ცუდად მატებას წონაში და წველადობის შემცირებას. ჩვენი კვლევების საფუძველზე მიეცათ რეკომენდაცია ფერმერემს. **(ეტაპის ანგარიში სრულად იხ.დანართში 25).**		
2	**III ქვეპროგრამის ფარგლებში:** **მიმართულება 2.** ჩამდინარე წყლების გაწმენდა-გაუსნებოვნება, ელექტროქიმი-ურად გენერირებული დამჟან-გველების მიმართულება **პროექტი:** ჩამდინარე წყლების გაწმენდა-გაუსნებოვნება ელექტროქი-მიური პროცესებითა და ჟანგ-ვითი სისტემების გამოყენე-ბით **(2015-2017)** **ეტაპი (2015):** “ტოქსიკური არამატული ბირთვის შემცველი ორგანული ნაერტების დაშლა წყალხსნარებში ჯანგვითი სისტემების - O_3 , UV , O_3/UV გამოყენებით”	უფ.მეც.თან. გიორგი გორელიშვილი	უფ.მეც.თან. პაატა ნიკოლეიშვილი უფ. მეც.თან. ვ.კვესელავა მეც.თან. რ.კურტანიძე
	კვლევის მიზანია სხვადასხვა ჟანგვითი სისტემების გამოყენებით ტოქსიკური გარკვეული კლასის ორგანული ნაერთებით დაბინძურებული მოდელური და რეალური ჩამდინარე წყლების გაწმენდა-გაუსნებოვნებოვნებისთვის საჭირო ელექტროქიმიური სისტემების კვლევა და ოპტიმალური პირობების დადგენა; შესაბამისი ელექტროქიმიური და ქიმიური დანადგარების დიზაინის დამუშავება.		

სამუშაოს პირველი ეტაპის გეგმის თანახმად ათვისებული იქნა ჟანგბადის ქიმიური მოხმარების განსაზღვრის მეთოდი სპექტროფოტომეტრის HAHCH DR/ 4000V საშუალებით. ამ მეთოდით ისაზღვრებოდა ორგანული ნივთიერების დაშლის პროცესის ეფექტურობა. ჩატარებულია ფენოლის (50 გ/ლ) შემცველი მოდელური წყალხსნარის (500 მლ, pH 3) დაშლის პროცესი ჟანგვითი სისტემების - O_3 , UV და კომბინირებული სისტემა UV/O_3 გამოყენებით. დადგენილია, რომ საუკეთესო შედეგს იძლევა კომბინირებული სისტემა – დაბინძურებული წყლის 30 წთ განმავლობაში დამუშავებით ჟანგბადის ქიმიური მოხმარება (COD) შემცირდა 1345 მგ/ლ –დან 22 მლ-მდე.

(ეტაპის ანგარიში სრულად იხ.დანართში 26).

3	**III ქვეპროგრამის ფარგლებში:** **მიმართულება 2:** ჩამდინარე წყლების გაწმენდა-გაუსნებოვნება, ელექტროქიმიურად გენერირებული დამჟან-გველების მიმართულება **პროექტი:** სამრეწველო და კარიერული წყლის ელექტროლიზური გაწმენდა სპილენძის იონებისაგან ნახშირბადოვანი მასალების გამოყენებით. **ეტაპი 2015**: კარიერული წყლის გასა-წმენდი კათოდური ბლოკების და ელექტროლიზერის კონს-ტრუციის შექმნა და აგება ნახშირბადოვანი მასალების გამოყენებით.	უფროსი მეცნ.თანამშრომელი ც.გაგნიძე	უფრ.მეც.თან. რ.ჩაგელიშვილი, უფრ.მეც.თან. ნ.ხავთასი ინჟინერი მ.ნადარეიშვილი

კარიერული წყლის მძიმე ლითონებისაგან გაწმენდის ელექტროლიზური მეთოდის ინტენსიფიკაციის მიზნით საკათოდე მასალად გამოიცადა რამოდენიმე სახის მაღალგანვითარებული ზედაპირის მქონე ნახშირბადოვანი მასალა.

1.შესწავლილია მათი ფიზიკო-ქიმიური თვისებები;

2.შემუშავებულია განვითარებული ზედაპირის მქონე კათოდის ორი კონსტრუქცია: ა) მბრუნავი ნახშირბადული ელექტროდით ; ბ) მოცულობითი ფოროვანი ნახშიბოჭკოვანი ელექტროდული ბლოკით

3. აიგო აღნიშნული ნახშირბადოვანი კათოდების გამოყენებით ორი ტიპის ელექტროლიზერი;

4. შესწავლილია სპილენძის ელექტრო გამოლექვის დინამიკა სხვადასხვა დენის სიმკვრივეებზე. და გაანგარიშებულია აღნიშნულ სიმკვრივეებზე სპილენძის დენით გამოსავალი, ამოღების ხარისხი და გამოლექვის სიჩქარე.

(ეტაპის ანგარიში სრულად იხ.დანართში 28).

4.	**III ქვეპროგრამის ფარგლებში:** **მიმართულება 3:** მყარი ნარჩენების კომპლექ-სური უტილიზაციის მიმართულება. **პროექტი:** სხვადასხვა წარმოშობის ნახშირბადშემცველი ნარჩენებისგან ბრიკეტული საწვავის ფორმირების ეფექტური ტექნოლოგიის შემუშავება 2014- 2018 წწ ***2015 წლის ეტაპი:*** ბრიკეტირების მოწყობილობის ძირითადი კონსტრუქციული ელემენტების პარამეტრების დაზუსტება და მოდელის შექმნა	მთავ.მეცნ.თან. თინათინ ლეჟავა	უფრ.მეც.თან.: ნ. ქოიავა; ი. კახნიაშვილი; მეც.თან. დ. გოგოლი

საწვავი ბრიკეტების წარმოების ტექნოლოგიები და მოწყობილობები ძირითადად დაფუძნებულია სხვადასხვა ჰიდრავლიკური სისტემების გამოყენებით მასალის დაწნეხვაზე. ასეთი მოწყობილობები ხასიათდება: ტექნოლოგიური სირთულით- აქვთ რთული ჰიდრავლიკური სისტემები; მაღალი თვითღირებულებით- შეიცავენ ენერგოტევად ელექტროამძრავ მექანიზმებს, მოწყობილობების ცალკეული ელემენტების დასამზადებლად საჭიროა სპეციალური კონსტრუქციული მასალების გამოყენება.

შემოთავაზებულია ახალი ტიპის ენერგოდამზოგი მოწყობილობა ბრიკეტირებისათვის, მასში შესაძლებელია ერთჯერადი გატარებით ავტომატურ რეჟიმში მაღალი ხარისხის მიზნობრივი პროდუქტის (ბრიკეტი, პალეტი) მიღება, პროდუქტის ფორმისა და ზომის (სიგრძე, დიამეტრი) ცვლილებაც. მოწყობილობის კონსტრუქცია [GE P 2012 5648] საშუალებას იძლევა, ერთ აპარატში ერთდროულად, უწყვეტ რეჟიმში განხორციელდეს რამდენიმე ოპერაცია, კერძოდ - საწყისი მასალების მიწოდება და დოზირება, მათი შერევა, ტექნოლოგიურ მასად ჩამოყალიბება და ბრიკეტების ფორმირება. მისი გამოყენებით შესაძლებელია ნებისმიერი ნახშირბადშემცველი მყარი ნარჩენის (ნახშირი, ბიომასა) უტილიზაციით საწვავი ბრიკეტების კომპაქტური, აპარატურული გაფორმებით მარტივი და ენერგოდამზოგი წარმოების ორგანიზება.

2015 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო ბრიკეტირების მოწყობილობის მოდელის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფდა ნახშირბადშემცველი ნარჩენების ფართო სპექტრის უტილიზაციით

საწვავი ბრიკეტების ფორმირების ტექნოლოგიური პროცესის დემონსტრირებას 20-40 კგ/სთ წარმადობით. საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული იქნა აღნიშნული წარმადობის მოწყობილობის ძირითადი ტექნოლოგიური კვანძებისა და კონსტრუქციული ელემენტების პარამეტრები, შედგენილი იქნა მუშა ნახაზები, მოძიებული იქნა შესაბამისი მასალები და დამზადდა ცალკეული დეტალი. მიმდინარეობს მოდელის აწყობა. **(ეტაპის ანგარიში სრულად იხ.დანართში 29).**

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1.	წყალბადის მიღება მემბრანულ რეაქტორში ახალი თაობის კატალიზატორებით 2014 – 2015 წ.წ.	სსიპ შ.რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	კატალიზის ლაბორატორიის ხელმძღვანელი ტექ. მეცნ. აკად. დოქტორი ვ.ბახტაძე	ვ. მოსიძე, დ. ძანაშვილი
დღეისათვის მიმდინარე კვლევების მიზანია ბუნებრივი აირის სინთეზ-აირად გადასამუშავებლად ეფექტური და ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიური პროცესების დამუშავება. მიჩნეულია, რომ მომავალში წყალბადის ენერგეტიკაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს მემბრანულმა რეაქტორებმა. სარეაქციო ზონიდან წყალბადის სეპარაცია საშუალებას მისცემს მოახდინოს ტექნოლოგიური პროცესის ინტენსიფიცირება, გაიზარდოს წყალბადის თერმოდინამიკური წონასწორული გამოსავალი. სახელმწიფო გრანტით დაფინანსებული პროექტი ეხება მემბრანულ რეაქტორებში სუფთა წყალბადის მისაღებად კატალიზატორების გამოყენებას შედარებით დაბალ (400 – 600 °C) ტემპერატურებზე. აღნიშნულ პროცესში, ისევე როგორც ტრადიციულ რეაქტორებში			

მეთანის დაჟანგვით (წყლის ორთქლი, O_2, CO_2) წყალბადის მიღებას აბრკოლებს სამრეწველო ნიკელის კატალიზატორების აქტივობაზე კარბონიზაციის მომწამვლელი გავლენა. ამ საკითხის გადაწყვეტის ერთ-ერთი გზაა სხვადასხვა კომპოზიციური შედგენილობის ოქსიდური კატალიზატორების გამოყენება. ამ მხრივ კარგი შედეგებია მიღებული მანგანუმისა და კობალტის ოქსიდების შემცველ კატალიზატორებზე. კატალიზის ლაბორატორიაში დამუშავებულია და მეთანის კონვერსიის პროცესში შესწავლილია ალუმოკალციუმინა სარჩულზე დაფენილი 4 Co - Mn კომპოზიციის შემცველი კატალიზატორი. სხვადასხვა შედგენილობის სარჩულებზე დამზადდა კობალტ-მანგანუმის 4 Co - Mn კატალიზატორის ხუთი ნიმუში, რომელთა აქტივობა შემოწმდა ტრადიციულ ლაბორატორიულ რეაქტორში მეთანის CO_2 -ით კონვერსიის პროცესში CH_4 / CO_2 თანაფარდობისას 1,0 : 1,5 და მეთანის მიმართ 500 სთ$^{-1}$ მოცულობით სიჩქარეზე. სარეაქციო არეში ტემპერატურა იცვლებოდა 800 °C -დან 500 °C -მდე. კატალიზატორის ხუთივე ნიმუში მემბრანულ რეაქტორებში მეთანის CO_2 -ით კონვერსიის პროცესში გამოსაცდელად გადაეცა იტალიის ეროვნული კვლევითი საბჭოს მემბრანული ტექნოლოგიის ინსტიტუტს (კალაბრიის უნივერსიტეტი)

წინასწარი შემოწმების შედეგად, იტალიის მხარესთან შეთანხმებით, შეირჩა კატალიზატორის სამი ნიმუში, რომლებიც გამოიცადა 550 °C ტემპერატურაზე 40-50 საათის განმავლობაში (იხ. ცხრილი)

ცხრილი. მეთანის **CO_2** -ით კონვერსიის პროცესში **4Co-Mn** კატალიზატორების ნიმუშების (**I, II, III)** აქტივობა (**CH_4 : CO_2 /1,0:1,5; T - 550 °C ; W_{CH4} = 500 სთ$^{-1}$,** ცდების ხანგრძლივობა 40 – 50 სთ)

№	ნიმუში	კონვერტირებული აირის შემადგენლობა , მოც.. %			
		H_2	CO	CH_4	CO_2
I	**4Co-Mn /CaO·2 Al_2O_3**	**28,4**	**29,6**	**14,0**	**28,0**
II	**4Co-Mn /Mg Al_2O_4**	**26,3**	**26,5**	**16,2**	**31,0**
III	**4Co-Mn / · α - Al_2O_3**	**24,2**	**28,0**	**18,3**	**32,6**

ცდებმა აჩვენა კობალტ-მანგანუმის კატალიზატორის კარბონიზაციის მიმართ მედეგობაზე მანგანუმის ოქსიდების დამამუხრუჭებელი როლი და მათი გამოყენების პერსპექტიულობა მეთანის CO_2 -ით კონვერსიის პროცესში საშუალო- დაბალ (500 – 600 ° K) ტემპერატურებზე.)

2	დაბალტემპერატურული გალვანური ალუმინირება 2015	საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო	ნოდარ გასვიანი	გულნარა ყიფიანი ლია აბაზაძე
1. დაპროექტდა დაბალტემპერატურული ალუმინირების საპილოტე დანადგარი. 2.პროექტის საფუძველზე დამზადდა და გამოიცადა ელექტროქიმიური აბაზანა. 3.დაზუსტდა პროცესის ტექნოლოგიური პარამეტრები (ტემპერატურა, ანოდური და კათოდური დენის სიმკვრივეები და ხანგრძლივობა. 4. ენერგეტიკაში და სამშენებლო ინდუსტრიაში გამოყენებული ლითონური ნაკეთობების (მცირე ზომის ბრტყელი და რთულ პროფილიანი ქანჩების, ჭანჭიკების და სხვა ნაკეთობების ალუმინირების პროცესის ჩატარება გამსხვილებულ დანადგარზე. 5.შესწავლილია არაორგანული და ორგანული დანამატების გავლენა ელექტროლიტის სტაბილორობაზე და დანაფარების ხარისხზე. 6. ჩატარდა მიღებული ნიმუშების მეტალოგრაფიული, რენტგენოგრაფიული და ქიმიური ანალიზები, გამოიცადა კოროზია და თერმომედეგობაზე. 7. ნიმუშები გადაეცათ ტესტირებისათვის დაინტერესებულ ორგანიზაციებს (შპს“ავანბეკი“)				

3	დენის წყაროებისა-თვის წყალბადის მიღების ახალი მეთოდი ნატრიუმის ჰიპოფოსფიტის გამოყენებით და ახალი ტიპის O_2-NaH_2PO_2 სათბობის ელემენტის დამუშა-ვება (საგრანტო ხელშეკრულება № AR/10/3-171/14) (28.04.2015-28.04.2017)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	უფრ.მეც.თან. გიორგი გორელიშვილი	პ. ნიკოლეიშვილი, გ.წურწუმია, ვ. კვესელავა, რ. კურტანიძე, ნ. ქოიავა
გრანტის პირველი ეტაპის ძირითადი შედეგები სამუშაო ადგილები აღჭურვილია ექსპერიმენტული საშუალებებით, თავმოყრილია საჭირო ქიმიური რეაქტივები. დასახული ამოცანების ირგვლივ ჩატარებულია სამეცნიერო-საინფორმაციო და საპატენტო ძიება. წყალბადის გენერაციისათვის გათვალისწინებულია ნატრიუმის ჰიპოფოსფიტის რიფორმინგი, რის შედეგად მიიღება ფოსფორის სხვადასხვა მარილის ხსნარი. ამიტომ დაჟანგვისას წარმოქმნილი ნაერთების იდენტიფიკაციისათვის დამუშავებულია ჰიპოფოსფიტის სპექტროფოტომეტრული განსაზღვრის მეთოდიკა. მეორე ეტაპის ძირითადი შედეგები:				

ნატრიუმის ჰიპოფოსფიტის რიფორმინგით მიღებული წყალბადი გამოყენებულია სათბობად სათბობის ელემენტში. ცნობილია, რომ $H_2PO_2^-$-ის დაჟანგვა მიმდინარეობს მხოლოდ ავტოკატალიზური თვისებების მქონე მეტალებზე, მაგალითად, პალადიუმზე. ამიტომ მიზნად დავისახეთ დაგვედგინა $H_2PO_2^-$-ის ელექტროქიმიური აქტიურობა სხვა შედარებით იაფი და უფრო ხელმისაწვდომი ელექტროდული მასალების მიმართ. ასეთ ელექტროდულ მასალად მოვიაზრეთ კობალტი. ამისათვის ჩატარებული იყო ნატრიუმის ჰიპოფოსფიტის ჟანგვითი პროცესის პოტენციოსტატური კვლევა სხვადასხვა ელექტროდზე. პოლარიზაციული გაზომვები ჩატარებული იყო იმპულსური პოტენციოსტატის ПИ-50-1.1 და პროგრამატორის ПР-8 საშუალებით. i-E მრუდების რეგისტრაციისათვის გამოყენებული იყო ორკოორდინატიანი თვითჩამწერი ПДА-4. ექსპერიმენტები ჩატარებული იყო 25^0C.

დადგენილია, რომ პალადიუმზე ჰიპოფოსფიტ-იონის დაჟანგვისას დიფუზიის და განმუხტვის სტადიები არ არიან მალიტირებელი. ხსნარის მორევით პალადიუმის ზედაპირზე ქემოსორბირებული $H_2PO_2^-$-ის ნაწილაკის დაფარვის ხარისხი მცირდება, ხოლო დაჟანგვის პროდუქტის წარმოქმნის შედეგად მცირდება ანოდური დენი, რაც ადასტურებს იმას, რომ ტუტე ხსნარში პალადიუმის ელექტროდზე ადგილი აქვს $H_2PO_2^-$-ის დაჟანგვას. პლატინის ელექტროდის ანოდად გამოყენების შემთხვევაში $H_2PO_2^-$-ის დაჟანგვას ადგილი არ აქვს.

ანოდური პოლარიზაციული და ციკლური ვოლტ-ამპერული მეთოდების გამოყენებით დადგენილი იქნა, რომ ჩვენ მიერ ქიმიური გზით მიღებული კობალტის ნაწილაკებით მოდიფიცირებული ელექტროდი ავლენს კატალიზურ აქტიურობას $H_2PO_2^-$-ის ანოდური დაჟანგვის რეაქციის მიმართ, რაც საშუალებას მოგვცემს შევცვალოთ სათბობის ელემენტში ძვირადღირებული პალადიუმიანი ელექტროდები კობალტის შემცველი ელექტროდებით. გრანტი გარდამავალია - (28.04.2015-28.04.2017)

4	**მანგანუმის დიოქსიდისა და წყალბადის ელექტროსინთეზი ახალი თაობის ნახშირბადული მასალების გამო-ყანებით ქიმიური ტექნოლოგია საი-ნჟინრო მასალათ-მცოდნეობა 04.2015-03.2017**	**რუსთაველის სამეცნიერო ფონდი**	**ჟ. ქებაძე**	**ჟ.ქებაძე თ.ჩახუნაშვილი ც.გაგნიძე ლ.კაკურია ქ.უგრელიძე მ.ბუთლიაშვილი**

ჩვენი პროექტით შესასწავლია ელექტროქიმიური პროცესის ძირითადი პროდუქტის–ელექტროლიზური მანგანუმის დიოქსიდის მიღება ანოდზე. შესაბამისად, როგორც ენერგეტიკული, ასევე პროცესის ინტენსიფიკაციის, თვალსაზრისით ელექრტოლიზის ანოდური პროცესი პრიორიტეტულ მნიშვნელობას იძენს. ჩვენი კვლევის ამავე ნაწილში მიიღება პასუხი საელექტროდე მასალების მდგრადობაზე მაღალ (80-100^0C) ტემპერატურაზე. უკვე ჩატარებული მასალების კოროზიული და ფიზიკურ-მექანიკური თვისებების, გადაღებული ანოდური პოლარიზაციული მრუდების, აგრეთვე

მათი კონსტრუქციულ შესაძლებლობების გათვალისწინებით, საანოდე მასალად კვლევის ამ ეტაპზე შევარჩიეთ ნახშირბადულ-ბოჭკოვანი ჩალიჩი.				
5	**ლითიუმ-იონური აკუმულატორების საფუძველზე მაღა-ლი სიმძლავრის დენის წყაროებისა-თვის ნანოსტრუქ-ტურული, მოდიფი-ცირებული შპინე-ლური ტიპის -$LiM_xNi_{0.5-x}Mn_{1.5}O_4$ საკათოდე მასალ-ების შემუშავება** **04.2015-04.2016**	**სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი**	**ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი ე.ქაჩიბაია**	**რ.იმნაძე, თ.პაიკიძე, დ.ძანაშვილი, თ.მაჩალაძე, ე.კვარაცხელია**
საანგარიშო პერიოდში განხორციებული იყო: 1. $0 \le x \le 0,4$ ინტერვალში ფაზურად-სუფთა, ნანოზომის $LiM_xNi_{0,5-x}Mn_{1,5}O_4$ (M=Cr,Co) შპინელის ნიმუშების მიღების პირობების ოპტიმიზაცია; 2. მადოპირებელ მეტალად (M) Al-ისა და Cu-ის გამოცდა; 3. შესწავლილი იყო მიზნობრივი პროდუქტის მიღების ფიზიკურ-ქიმიური საფუძვლები; 4. შემუშავებული იყოშპინელური ნაერთების მისაღებად პრაქტიკაში გამოყენებად ზოლ-გელ და სხვა მეთოდებთან შედარებით გამარტივებული, ორსტადიანი მეთოდი.				
6	**მანგანუმის კარბონატული მადნებიდან წვრილდისპერსული ელექტროლიზური მანგანუმის დიოქსიდისა და იაფი წყალბადის ერთდროული მიღების პროცესების კვლევა, შიფრი - № FR/109/9-220/13** **01.04.2015-01.10.2017**	**სსიპ-შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი**	**თ. როყვა**	**თ. როყვა, ნ. ბუთლიაშვილი, მ. ფაჯიშვილი**
განისაზღვრა ელექტროლიზური მანგანუმის დიოქსიდის მიღების ოპტიმალური რეჟიმი; მიღებულ იქნა წვრილდისპერსული მანგანუმის დიოქსიდი და წყალბადი; დადგინდა პროცესის ოპტიმალური პარამეტრები და მახასიათებლები; შეირჩა ანოდური და კათოდური დენის სიმკვრივეები; მომზადდა ემდ-ის საკვლევ-საგამოცდო ნიმუშები და მიეცა სასაქონლო სახე; მიღებულ იქნა წყალბადი მაღალი დენით გამოსავლით.				

7	თანამედროვე საელექტროდე და საკონსტრუქციო მასალების ბაზაზე ახალი კონსტრუქციის გაზრდილი ხვედრითი წარმადობის ეკოლოგიურად უსაფრთხო ელექტროლიზერის დამუშავება, დამზადება და გამსხვილებულ მასშტაბში გამოცდა მანგანუმის დიოქსიდისა და წყალბადის ერთდროული მიღებით საქართველოს მანგანუმშემცველი ნედლეულიდან. საგრანტო ხელშეკრულება AR/121/3-170/14. I პერიოდის ანგარიში (28.04.2015-28.10.2015). მეცნიერების დარგი: ქიმიური ტექნოლოგია. სამეცნიერო მიმართულება: საქართველოს წიაღისეულის გადა-მუშავება და ახალი მასალების მიღება. 28.04.2015-28.04.2017	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	თემურ ჩახუნაშვილი, ტექნ. მეცნ. აკად. დოქტორი	თ. როყვა, ჟ.ქებაძე,

მანგანუმის დიოქსიდისა და წყალბადის მისაღები ელექტროლიზური აბაზანის ანოდად და კათოდად გამოსაყენებლი თანამედროვე საკონსტრუქციო მასალების – ტექნიკური ტიტანისა და საელექტროდე გრაფიტისაგან დამზადებულ საკვლევ ელექტროდებზე ჩატარდა პოლარიზაციული გაზომვები და დადგენილ იქნა მათზე მანგანუმის დიოქსიდის, წყალბადისა და ჟანგბადის გამოყოფის პოტენციალები, რომლებმაც შეადგინა მანგანუმის დიოქსიდისათვის 1,46–1,53 ვ, წყალბადისათვის -0,49÷-0,54 ვ, ჟანგბადისათვის 2,3-2,6 ვ. დამზადდა და ელექტროლიზის პროცესში გამოიცადა მანგანუმის დიოქსიდისა და წყალბადის მისაღები ორი დახურული ელექტროლიზური აბაზანა (2 და 14 ლიტრი ტევადობის).

2 ლიტრიანი აბაზანის კორპუსი წარმოადგენდა თერმომედეგ მინას, ხოლო 14 ლიტრიანი აბაზანის კორპუსი დამზადებული იყო 10 მმ სისქის საკონსტრუქციო პოლიპროპილენისაგან. 14 ლიტრიანი აბაზანის ანოდის მუშა ნაწილს წარმოადგენდა ერთ სიბრტყეში პარალელურად განლაგებული 5 მმ სისქისა და 30 მმ სიგანის ფირფიტები, ხოლო კათოდი დამზადებული იყო 20 მმ სისქის მცირენაცრიანი საელექტროდე გრაფიტის ფირფიტებისაგან. კათოდის დენმიმყვანად გამოყენებული იყო მაღალლეგირებული უჟანგავი ფოლადი (ОХ23Н28М3Д3Т). ჩატარებულ ცდებში მუშა ხსნარის ტემპერატურა შეადგენდა 85÷98°C, ანოდური დენის სიმკვრივე 5÷10 მა/სმ^2, აბაზანაში გამავალი დენის ძალა 3,0÷6,0 ამპერს, საშუალო ძაბვა აბაზანაზე – 1,9÷2,55 ვოლტს.

ლაბორატორიულ ცდებში მიღებული დადებითი შედეგების საფუძველზე შემუშავდა ელექტროლიზის ოპტიმალური პირობები დახურული აბაზანისათვის: ტემპერატურა – 93-98°C, ანოდური დენის სიმკვრივე 50÷100 ამპ/მ^2, კათოდური დენის სიმკვრივე – 300÷400 ამპ/მ^2, ძაბვა აბაზანაზე – 2,3-3,0 ვოლტი, მუშა ხსნარის შემადგენლობა: 30-40 გ/ლ გოგირდმჟავა, 100-120 გ/ლ მანგანუმის სულფატი. ელექტროდები: ტიტანის ბაზაზე დამზადებული ახალი კონსტრუქციის ანოდი და ნახშირბადოვანი მასალის ბაზაზე დამზადებული ახალი

კონსტრუქციის კათოდი (იხ. განხორციელებული მეორე ამოცანის მოკლე აღწერა).

ჩვენს მიერ დამუშავდა მანგანუმის დიოქსიდისა და წყალბადის მისაღები დახურული ელექტროლიზური აბაზანის ძირითადი კვანძების – ანოდისა და კათოდის ახალი ეფექტური კონსტრუქციები. ტექნიკური ტიტანის ბაზაზე დამზადებული პასივაციამედეგი ანოდი წარმოადგენს ერთ სიბრტყეში ერთმანეთისაგან 1–3 მმ მანძილზე პარალელურად განლაგებული 2–4 მმ სისქისა და 25–35 მმ სიგანის ტიტანის ფირფიტების ან 8–15 მმ დიამეტრის ტიტანის ღეროების ერთობლიობას, რომლებიც მექანიკური სიმტკიცისა და სხვა დადებითი თვისებების შეძენის მიზნით ერთმანეთთან დაკავშირებულია გარკვეული წესით განლაგებული შედუღების ნაკერებით. ანოდი ხასიათდება კომპაქტურობით, მცირე მასალატევადობით, მაღალი კოროზიული მდგრადობითა და პასივაციამედეგობით, გამოლექილი მანგანუმის დიოქსიდის მოხსნის სიადვილით, მუშაობის დიდი რესურსით.

კათოდი წარმოადგენს ნახშირბადოვანი მასალისაგან, მაგალითად, საელექტროდე გრაფიტისაგან, დამზადებული ერთ სიბრტყეში პარალელურად განლაგებული ფირფიტებისა ან ღეროების ერთობლიობას, რომლებიც მექანიკური სიმტკიცის გაზრდის მიზნით ერთ კონსტრუქციად არის შეკრული ტეფლონისაგან დამზადებული სამაგრი დეტალებით. კათოდის დენმიმყვანს წარმოადგენს მრავალკომპონენტიანი ლეგირებული ფოლადისაგან დამზადებული კონსტრუქცია. კათოდი ხასიათდება მაღალი კოროზიული მდგრადობით და გაზრდილი მექანიკური სიმტკიცით.

დამუშავებული კონსტრუქციის ანოდი და კათოდი გამოიცადა 14 ლიტრი მოცულობის დახურულ აბაზანაში მანგანუმის დიოქსიდისა და წყალბადის მიღებით. მიღებულია დადებითი შედეგები. მომზადებულია ორი საპატენტო განაცხადი სასარგებლო მოდელზე: ერთი ანოდისათვის, მეორე კათოდისათვის.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1	N. Lekishvili, M. Rusia, Rus. Gigauri.	Arsenic and Stibium advanced compounds and materials with specific properties	თბილისი , თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	30
დარიშხანის და ანთიმონის ზესუფთა ნაერთის ბაზაზე მიღებულია კომპოზიტიური და სპეციფიკური მასალები. მონოგრაფიაში შესულია საქართველოს დარიშხანის მადნებიდან (As_4S_4, As_4S_6 – რეალგარ-აურიპიგმენტი) მიღებული საბაზისო პროდუქტი As_2O_3 დაწყებული ანტიბიოკოროზიული მასალების $[R_3AsR] \times R = alkyl$, მიღებამდე $aryl$; $x = Hal$. მათი გამოყენების არეალი დიდია თანამედროვე მსოფლიო წარმოებაში.				
2	გ.ცინცაძე მ.ცინცაძე თ. გიორგაძე	ლითონებთან ციანატური, თიოციანატური და სელენოციანატური ნაერთები	„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“ თბილისი	128 გვ
მონოგრაფიაში მოცემულია მეტალების კოორდინაციული ნაერთების ციანატო-, თიოციანატო- და სელენოციანატო ჯგუფებთან ფიზიკო-ქიმიური თვისებების, XCN^--ს და CNO^--სElექტრონული აღნაგობის, მეტალებთან ციანატო-, თიოციანატო-, სელენოციანატო- და ფულმინატური ჯგუფების კოორდინირების წესისა და მათი აღნაგობის შესახებ კვლევის შედეგები. მონოგრაფიაში ასევე მოცემულია გამოქვეყნებული სტრუქტურული მონაცემებისა და კოორდინირებული ციანატო- და ფულმინატო- ჯგუფების რხევების თეორიული (ნახევრადემპირიული) ანალიზი. ნაერთების აღნაგობის შესახებ მონაცემები მიღებულია კვლევის თანამედროვე ფიზიკური და ფიზიკო-ქიმიური მეთოდების გამოყენებით.				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1	თ.მარსაგიშვილი, გ. ტატიშვილი, ნ.ანანიაშვილი, მ.გაჩეჩილაძე, ჯ.მეტრეველი, გ.მამნიაშვილი	ნიკელის თერმომედეგი დანაფარები ალუმინსა და მის შენადნობებზე.	ტ. 41, N3, გვ. 184-187	ეროვნული აკადემიის „მაცნე“. ქიმიის სერია თბილისი	4
	მიღებულია ნიკელის თერმომედეგი დანაფარები ალუმინსა და მის შენადნობებზე, ჩვენს მიერ შემუშავებული უშუალო მონიკელების ელექტროლიტიდან (მიღებულია პატენტი). დადგენილია მოცემულ ელექტროლიტში ნიკელის ელექტროგამოლექვის პროცესის ოპტიმალური პარამეტრები. შესწავლილია ხვედრითი წინაღობის ტემპერატურაზე დამოკიდებულება, ნიმუშის მონოტონური გახურებისას მათ მაღალტემპერატურულ (600°C) დამუშავებამდე და მის შემდეგ.				
2	გ.გორელიშვილი, პ.ნიკოლეიშვილი, გ. წურწუმია, ვ. კვესელავა, ნ. ქოიავა, ი.მამაგულიშვილი	“ჩამდინარე წყლებში ფენოლისა და მისი წარმოებუ-ლების მინერა-ლიზაცია ელექ-ტროფენტონის და ფოტო-ელექ-ტრო-ფენტონის მეთოდებით” საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია	ტ. 41, № 1-2 გვ.121-130	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, თბილისი	10
	ფენოლური ნაერთებით დაბინძურებული წყლის გაწმენდა განხორციელებულია ჟანგვის დახვეწილი პროცესებით (Advanced Oxidation Processes – AOPs): ელექტროფენტონით (EF) და ფოტო-ელექტრო-ფენტონით (PEF). პირველ შემთხვევაში ძირითადი დამჟანგველი – ჰიდროქსილის რადიკალი (˙OH) მიღებულია მებრანული ფილტრ-პრესული ტიპის ელექტროლიზერში გაზ-დიფუზიურ ელექტროდზე O_2-ის 2-ელექტრონიანი აღდგენით წარმოქმნილ H_2O_2-ზე Fe^{2+}-ისდამატებით და მეორე შემთხვევაში ˙OH მიღებულია კომბინირებული – EF-სა და ულტრაიისფერი დასხივების მეთოდით (ტალღის სიგრძე λ – 253 ნმ, 8 ვტ). ორგანული ნაერთების დეგრადაციის ანალიზური კონტროლი განხორციელებულია ჟანგბადის ქიმიური მოთხოვნილების მეთოდით (Chemical Oxigen Demand – COD). დადგენილია PEF-ის უპირატესობა EF-თან შედარებით. 100 მგ/ლ ორგანული ნაერთებით დაბინძურებული კათოლიტის 60 წთ-ანი PEF მეთოდით დამუშავების შემდეგ გაწმენდის ხარისხმა (COD-ის მიხედვით) ფენოლისთვის შეადგინა 97%, პ-ნიტროფენოლისთვის 95.7%, მ-ამინოფენოლისთვის 96.7%; ელექტროენერგიის ხარჯი 1 $მ^3$ წყლის გასაწმენდად – 2.5 კვტსთ.			

3	პ.ნიკოლეიშვილი, რ. კურტანიძე, ვ. კვესელავა, გ. წურწუმია, გ.გორელიშვილი, ნ. ქოიავა	“ნანომილაკოვანი TiO_2 კატალიზატორის სინთეზი” საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია	ტ. 41, № 1-2 გვ. 27-32	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე,თბილისი	6
	ელექტროქიმიური იმპულსური და მუდმივი დენის გამოყენებით ამონიუმის სულფატის, გლიცერინის და ეთილენგლიკოლის ელექტროლიტებში, რომლებშიც დანამატის სახით შეტანილი იყო ამონიუმის ფტორიდი, სხვადასხვა ძაბვაზე შესწავლილი და მირებული იყო ნანოგანზომილების(150-250 ნმ) მილაკოვანი სტრუქტურის მქონე ტიტანის დიოქსიდი.				
4	П.Николеишвили, Г. Цурцумия, В. Квеселава, Г.Горелишвили, М. Авалиани, Р. Куртанидзе, Д. Шарабидзе	“Одновременный электросинтез окислителей – пероксида водорода, пербората натрия и гипохлорита натрия в мембранном электрохимичесмком реакторе” საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია	ტ. 40, № 1 გვ. 24-31	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე თბილისი	8
	დამუშავებულია ორიგინალური მემბრანული ელექტროქიმიური რეაქტორი, რომლის ანოდზე მიიღება ნატრიუმის ჰიპოქლორიტი, ხოლო გაზ-დიფუზიურ კათოდზე – წყალბადის პეროქსიდი ან ნატრიუმის პერბორატი ($NaBO_2 \cdot H_2O_2 \cdot 3H_2O$), რომელიც წარმოიქმნება მიღებული წყალბადის პეროქსიდის ურთიერთქმედებით კათოლიტში არსებულ ნატრიუმის მეტაბორატთან. სამსაათიანი ელექტროლიზის შედეგად H_2O_2 (აგრეთვე $NaBO_2 \cdot H_2O_2 \cdot 3H_2O$-ის) და NaClO-ის დენით გამოსავალმა შესაბამისად შეადგინეს 68% და 72%. ნატრიუმის პერბორატის სინთზისათვის ელექტროენერგიის ხვედრითმა ხარჯმა შეადგინა 1.8 კვტ სთ $кг^{-1}$, ნატრიუმის ჰიპოქლორიტის – 3.6 კვტ სთ $кг^{-1}$.				
5	**L. Gurchumelia, Z. Khutsishvili, L. Nadareishvili, S. Tkemaladze.**	**Elaboration of new types, halogen less, eco-safe fire-extinguishing powders and evaluation of their efficiency. Bulletin**	2015, vol. 9, N 2.	Georgian Academy Press. Tbilisi	5 გვ.65-70
ნაშრომში აღწერილია ადგილობრივი მინერალური ნედლეულის საფუძველზე ახალი ტიპის, უჰალოგენო, ეკოლოგიურად უსაფრთხო, იაფი და მაღალეფექტური ცეცხლმაქრი ფხვნილების დამზადებისა და მათი ეფექტურობის შეფასების გზები. ფხვნილები მზადდება მინერალური ნედლეულის მექანიკური შერევით და არ საჭიროებს ძვირადღირებული,					

ჰალოგენშემცველი ჰიდროფობიზატორების დამატებას. რის გამოც მიღებული ფხვნილები არიან გაცილებით იაფი იმპორტულ ანალოგებთან შედარებით. შერჩეულია ფხვნილების ოპტიმალური დისპერსულობა და დადგენილია ქრობის ოპტიმალური პირობები.					
6	**L. Gurchumelia, F. Bejanov, M. Tsarakhov, Z. Khutsishvili, L. Nadareishvili.**	**Development of technology for production of new types, eco-safe, composite fire-extinguishing and fire-protective materials.**	-	International conference – “Advenced materials and Technologies”Proceeding 2015. Tbilisi, Georgia.	180-184
ნაშრომში აღწერილია ახალი, ეკოლოგიურად უსაფრთხო და იაფი კომპოზიციური ცეცხლმაქრი ფხვნილებისა და მათ საფუძველზე ახლი ტიპის ცეცხლდამცავი საფარების დამზადების გზები. აღწერილი ტექნოლოგიები მნიშვნელოვნად განსხვავდება აღნიშნული მასალების სერიული წარმოების ტექნოლოგიებისაგან. ცეცხლმაქრი ფხვნილები მზადდება მხოლოდ ნედლეულის მექანიკური შერევით და არ საჭიროვებენ ძვირადღირებული ჰიდროფობიზატორების დამატებას. ხოლო ცეცხლდამცავი მასალები - მხოლოდ შემკვრელი მასალებისა (პოლიურეთანული ფისები) და შემავსებლების (ჩვენს მიერ მიღებული ცეცხლმაქრი ფხვნილების) მექანიკური შერევით და არ საჭიროებენ ძვირადღირებული ანტიპირენების შერევას. რაც განაპირობებს აღნიშნული მასალების დაბალ ღირებულებას იმპორტულ ანალოგებთან შედარებით.					
7	L. Gurchumelia, O. Kutsnashvili, O. Tsiklauri, A. Chirakadze, K.Chigogidze, G. Chiradze.	Geopolitical changes and new environmental challenges in the context of management of the industrial and municipal waste in the post soviet space. Prospective of “green” utilization of agricultural waste in Georgia. International conference – “Advenced materials and Technologies”	-	International conference – “Advenced materials and Technologies” Proceeding 2015. Tbilisi, Georgia.	297-301
ნაშრომი ეძღვნება საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის სისტემებსა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მეცნიერულად დასაბუთებული ნაციონალური პროგრამების შამუშავების გზებს. აგრეთვე ნაშრომში აღწერილია ნანონაწილაკების „მწვანე“ სინთეზის კვლევასა და გარემოსდაცვით საქმიანობაში მოსახლეობის აქტიური ჩაბმის სოციო-ფსიქოლოგიური ასპექტები.					

8	**E.Kachibaia, R.Imnadze, T.Paikidze, D.Dzanashvili, T.Machaladze, E.Kvaratskhelia**	**Phase Composition, Structural Characteristics and Physicochemical Properties of $LiMe_xNi_{0.5-x}Mn_{1.5}O_4$ -Type Compounds (Me = Co, Cr), as Cathode Materials for Li-Ion Batteries. Proceedings of the Georg. Nat. Acad. Sci.– Chemical Series**	**2015, v. 41, № 1, pp. 27-33**	**Tbilisi, Georgian National Academy Press**	**7**

შესწავლილია $LiMe_xNi_{0.5-x}Mn_{1.5}O_4$ (Me-Cr, Co, $0 \le x \le 0.4$) ნიმუშების, როგორც ლითიუმ-იონური აკუმულატორების (ლია) პერსპექტიული საკათოდე მასალების, კრისტალიზაციის პროცესი. ჩატარებული კვლევების შედეგები ამტკიცებს, რომ Li, Cr, Ni და Mn, აგრეთვე, Li, Co, Ni და Mn აცეტატების ევთექტიკური ნარევების გამოწვის ტემპერატურის ოპტიმიზაციით შესაძლებელია ფაზურად-სუფთა ნანოზომის $LiMe_xNi_{0.5-x}Mn_{1.5}O_4$ (Me=Cr, Co)-ტიპის კუბური სტრუქტურის შპინელური ნიმუშების მიღება. ამასთან, უკვე 200^0C-ზე ფიქსირდება სტრუქტურირების დასაწყისი, ხოლო 350^0C-ზე ადგილი აქვს შპინელური სტრუქტურის საბოლოო ფორმირებას. 500^0C-სა და 700^0C-ზე მიღებული ნიმუშები შეესაბამება ფაზურად-სუფთა ნანოზომის კუბურ შპინელს (d~10÷25 ნმ). ლითიუმ-ნიკელ-მანგანუმიანი შპინელის ($LiNi_{0.5}Mn_{1.5}O_4$) ქრომითა და კობალტით დოპირებამ შეიძლება ხელი შეუწყოს ციკლირების დროს შემუშავებული შპინელების სტაბილურობის გაზრდასა და ლია-ს განმუხტვითი ტევადობის გაუმჯობესებას, რაც პოტენციალების 5V უბანში მათი გამოყენების პრინციპულ შესაძლებლობაზე მიუთითებს. შემუშავებული ნიმუშები შეიძლება საინტერესო იყოს როგორც მძლავრი ენერგოტევადი ლითიუმ-იონური ბატარეების საკათოდე მასალები.

9	**თ. მაჩალაძე, თ. ლეჟავა, თ. ლოლაძე, რ. ჯორბენაძე**	**მყარფაზური რეაქციები მადნეულის სპილენძის კოლჩედანური მადნის ფლოტაციური კონცენტრატის თერმული დამუშავებისას**	**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია. ტომი 41, 2015 #3**	**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბილისი**	**4**

მადნეულის სპილენძის კოლჩედანური მადნის ფლოტაციური კონცენტრატის 1000 ^{0}C-მდე თერმული დამუშავების პროცესში მიმდინარე ძირითადი მყარფაზური რეაქციების დაზუსტების მიზნით ჩატარებულიას მისი ტერმოგრავიმეტრიული კვლევა, გათვლილიას სავარაუდო რეაქციების თერმოდინამიკური პარამეტრები (ΔH, ΔS, ΔG, სტანდარტულ პირობებში და მათი წონასწორობის კონსტანტები ტემპერატურის აღნიშნულ დიაპაზონში.

10	მ. ავალიანი და სხვ	**Inorganic Polymers Double Condensed Phosphates of mono- and polyvalent Materials- General overview** **International conference "Inovative technologies in metallurgy and materials science" july 16-18**	-	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა საქართველო	6 229გვ. (გვ. 124-128)

არაორგანული პოლიმერები - კონდენსირებული ფოსფატები მრავალი უნიკალური და საინტერესო თვისებებით გამოირჩევა; ისინი არაორგანული პოლიმერების კლასია, რომელთაც განსაკუთრებულად მდიდარი და რთული ქიმური ბუნება გააჩნიათ და საინტერესო თვისებების მრავალფეროვანი სპექტრი ახასიათებთ, რაც განაპირობებს მათი გამოყენების ფართო პერსპექტივებს - ფოტო- და კატოდლუმინესცენტურ მასალებად, მაღალ-ეფექტურ, ეკოლოგიურად სუფთა კატალიზატორებად, მაცემენტებელ, შემკვრელ აგენტებად და სხვა.

11	მ. ავალიანი და სხვ	**General Overview of Synthesis and properties of a new group of inorganic Polymers- Double Condensed Phosphates** **International conference of advanced materials and Technologies, 21-23 october**		საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა საქართველო	5 229 გვ. 240-245)

ჩვენს მიერ შემუშავებული მეთოდიკით 120-130-დან 310°C ჩატარებულია სისტემატური კვლევა სისტემებში M^{I}_2O-$M^{III}_2O_3$-P_2O_5-H_2O და მიღებულია მეტად საინტერესო ახალი კონდენსირებული ორმაგი ფოსფატი. მოტანილია ცხრილები და დეტალური მონაცემები სინთეზის ოპტიმალური პირობების, ნაერთების შედგენილობის და სტრუქტურული აგებულების შესახებ. განზოგადოებულია მონაცემები ჩვენს მიერ დღემდე სინთეზირებული არაორგანული

პოლიმერების შესახებ.

12	მარინე ავალიანი ბორის ფურცელაძე მარინა გველესიანი ეთერი შოშიაშვილი ნანა ბარნოვი	**Apropos of Inorganic Polymers-Condensed Phosphates and Spheres of their Applications (in engl.)**	**ტ. 41, N3; 2015წ.**	**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მაცნე“. ქიმიის სერია**	**გვ. 227-231**

უკანასკნელი სამი-ოთხი ათწლეულის მანძილზე კონდენსირებული ფოსფატების ქიმიის სწრაფი განვითარება განპირობებულია ანალიზის და სინთეზის პროგრესული მეთოდების დანერგვით, არაორგანული პოლიმერებისადმი მზარდი ინტერესით და მნიშვნელოვანი მიღწევებით კრისტალოქიმიის დარგში. სწორედ ბოლო წლებში იქნა მიღებული და აღწერილი ახალი მრავალრიცხოვანი ოლიგოფოსფატი, პოლიფოსფატი, ორმაგი კონდენსირებული ფოსფატი და ციკლოფოსფატი, იქნება ეს ორმაგი ტეტრა-, ჰექსა-, ოქტა- თუ დოდეკაფოსფატი. ჩვენს მიერ პირველად იქნა სინთეზირებული და შესწავლილი პოლივალენტური მეტალების 60-ზე მეტი ორმაგი კონდენსირებული ფოსფატი, რომლებიც შეიცავენ აგრეთვე ერთვალენტიან კათიონს. ისინი ხასიათდებიან მთელი რიგი საინტერესო და მნიშვნელოვანი თვისებებით, რაც განაპირობებს მათ გამოყენებას ტექნიკის თუ მრეწველობის სხვადასხვა სფეროში, ასევე ყოფაცხოვრებაში.

13	**ბ. ფურცელაძე, თ. ჭყონია, მ. ავალიანი, ე. შოშიაშვილი, ი. ჩხაიძე, მ. სვანიძე, ზ. სამხარაძე, ნ. ბარნოვი;**	**მანგანუმის კონცენტრატების მიღება.** **საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მაცნე“. ქიმიის სერია,**	**ტ. 41, N3; 2015.**	**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მაცნე“. ქიმიის სერია,**	**გვ. 300-303**

ნაშრომში განხილულია მანგანუმის კონცენტრატების მიღების მეთოდი, რომლის დროსაც გამოყენებულია მანგანუმის ოქსიდების აღდგენა ხის ნახერხით შედარებით დაბალ ტემპერატურაზე გოგირდმჟავის არეში.

14	რ.ჩაგელიშვილი, ც. გაგნიძე, ბ. ფურცელაძე, მ. ავალიანი, მ. გველესიანი	თიოშარდოვანას ოქროშემცველი ხსნარებიდან ელექტროქიმიური მეთოდით ოქროს გამოყოფის პროცესის შესწავლა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მაცნე“. ქიმიის სერია	ტ. 41, N3; 2015.	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მაცნე“. ქიმიის სერია,	გვ. 295-299
დადგენილია ოქროშემცველი თიოშარდოვანას მჟავა ხსნარებიდან ოქროს ამოსაღებად ელექტროქიმიური მეთოდის გამოყენების პერსპექტიულობა; ექსპერიმენტულად გამოცდილია ჩვენს მიერ კონსტრუირებული ელექტროლიზერი ნახშირბოჭკოვანი მასალის მაღალგანვითარებული (მოცულობითი-ფოროვანი) ზედაპირის მქონე კათოდით, რომელიც უზრუნველყოფს ხსნარიდან ოქროსა და ვერცხლის მაქსიმალურ გამოყოფას. ოქროთი და ვერცხლით გაჯერებული ნახშირბოჭკოვანი ელექტროდები ექვემდებარება რეგენერაციას და შესაძლებელია მათი ხელმეორედ გამოყენება.					
15	თ.ჩახუნაშვილი, თ. ოყვა, ჟ.ქებაძე, თ.მესტვირიშვილი, მ.დადუნაშვილი, ნ.ბუთლიაშვილი, ზ.ვაწაძე	საქართველოს მანგანუმის შემცველი საწარმოო ნარჩენების ქიმიური-ტექნოლოგიური გადამუშავება საერთაშორისო კონფერენცია „არაორგანული მასალათმცოდნეობის თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდები” მოხსენებათა კრებული	20-24 აპრილი, 2015წ.	თბილისი, საქართველო	6
შესწავლილია საქართველოს მანგანუმშემცველი ნადნების გადამუშავების ნარჩენების მდებარეობა და რაოდენობა. განხილულია მათი შემდგომი გადამუშავების გზები და მეთოდები;					

16	რ.გიგაური, ნ.ბიჭიაშვილი, დ.ბაღათურია.	საქართველოს რეგიონების რაჭა-სვანეთის დარიშხან-შემცველი მადნების წარმოების ნარჩენების მონიტორინგი და რემედიაციის შესაძლებლობები. საქ. ქიმიის ჟურნალი	*№1. ტ. 15.*	თბილისი, უნივერსალი.	4
რაჭა-სვანეთის დარიშხანშემცველი ნარჩენებიდან დარიშხანის ზესუფთა ნაერთების წარმოების შესაძლებლობები. მათი გამოყენების არეალი ნანომასალების და და ნანოტექნოლოგიები, ანტიჰელმენტების სახით ვეტერინარიაში, ფარმაკოპეაში, ანტიკოროზიული მასალების წარმოებაში და სხვა.					
17	**E. Kachibaia, R. Imnadze, T.Paikidze, D. Dzanashvili, T. Machaladze, E. Kvaratskhelia**	**Phase Composition, Structural Characteristics and physicochemical Properties of $LiMe_xNi_{0.5-x}Mn_{1.5}O_4$ Type Compounds (Me = Co, Cr,), as Cathode Materials for Li-ion Bataries.** საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია.	*41, № 1 – 2*	თბილისი	7
სტატიაში განხილულია $LiMe_xNi_{0.5-x}Mn_{1.5}O_4$-ის (Me = Co, Cr,), ტიპის ნაერთების, როგორც Li-იანი ბატარეიების საკათოდე მასალების ფაზური შედგენილობა და სტრუქტურული მახასიათებლები.					
18	რ. ჩაგელიშვილი, ც.გაგნიძე, ბ. ფურცელაძე, მ.ავალიანი, მ. გველესიანი, მ. ნადარეიშვილი.	თიოშარდოვანას ოქროშემცველი ხსნარებიდან ელექტროქიმიური მეთოდით ოქროს გამოყოფის პროცესის შესწავლა.საქართველოს ეროვნული აკადემიის მაცნე.ქიმიის სერია. 2015, ტ. № ,გვ.	№1-2 , 2015	თბილისი საქართველოს ეროვნული აკადემიის მაცნე.ქიმიის სერია.	4

შესწავლილია ოქროშემცველი ღარიბი ხსნარებიდან ოქროს ამოღების ელექტროლიზური მეთოდი კათოდად ნახშირბადბოჭკოვანი მასალის გამოყენებით. კონსტრუირებულია და აგებულია ელექტროქიმიური რეაქტორი აღნიშნული პროცესისათვის. ჩატარებული ექსპერიმენტების საფუძველზე დადგენილია ოქროშემცველი თიოშარდოვანას მჟავა ხსნარებიდან ელექტროქიმიური მეთოდით ოქროს ამოღების ოპტიმალური პირობები. ნახშირბადოვან კათოდზე აღნიშნული მეთოდით შესაძლებელია ღარიბი ხსნარებიდან ოქროს ამოღება 96-98%-ით.

19	**T.R. Chelidze, L.G. Enukidze, M.V.Chankashvili, T.Zh. Loladze**	**Content of Heavy Metals in Animal Hair and its Relation with Ecological State of the Pastures in Tetritskaro Municipality of Georgia. Annals of Agrarian Science**	**2015, v. 13, #2.**	**Tbilisi**	**pp.67-72**

საქართველოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში არსებულ ცხოველთა ბეწვში მძიმე მეტალების შემცველობა და მათ საფუძველზე საძოვრების ეკოლოგიური მდგომარეობის დადგენა.
სამუშაო ეძღვნება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში არსებულ ცხოველთა ბეწვში, კერძოდ ძროხის ბეწვში მძიმე ლითონების (სპილენძი, ტყვია, თუთია და კადმიუმი) შემცველობის განსაზღვრას გაზაფხულზე და შემოდგომაზე. კვლევები წარმოებდა დიფერენციალურ-იმპულსური პოლაროგრაფიული მეთოდით. ნაჩვენები იქნა, რომ აღნიშნული მიკროელემენტების რაოდენობრივი შემცველობა ძროხის ბეწვში მცირდება გაზაფხულიდან შემოდგომამდე საშუალოდ 1.5-2-ჯერ. აღსანიშნავია, რომ გამოკვლეული ძროხების ბეწვში მძიმე ლითონების შემცველობა არ აღემატება საერთაშორისო სტანდარტებს.

20	**რ.თუშურაშვილი მ.ფანჩვიძე ც.ბასილაძე გ.ხიდეშელი გ.შანიძე მ.მამარდაშვილი ნ.კვირკველია**	**ოზონის გამოყენება ზოგიერთი კულტურის თესლების აღმოცენების და ზრდის ინტენსიფიცირების მიზნით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის**	**ტომი 41, №4, გადაცემულია დასაბეჭდად**	**თბილისი**	**3**

		მაცნე, ქიმიის სერია			
შესწავლილია ოზონის გავლენა ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურის (კიტრის და პომიდორის) თესლებზე მათი აღმოცენების ინტენსიფიცირებისა და მოსავლიანობის გაზრდის მიზნით. დადგენილია, რომ ოზონირებული წყლით და ოზონ-ჰაერის ნაკადით ამ კულტურების თესლების დამუშავება ახდენს მათი აღმოცენების ინტენსიფიცირებას, რაც გამოიხატება როგორც მცენარეთა ფოთლების უფრო მეტ ფართობში, ასევე უფრო მეტ სიმაღლეში. ეს მიუთითებს ოზონის გამოყენების პერსპექტიულობაზე სოფლის მეურნეობაში, კერძოდ მეთესლეობაში.					
21	ბ.ფურცელაძე, მ. სვანიძე, ე.შოშიაშვილი, მ. ავალიანი, ი. ჩხაიძე, ლ. ბაღათურია, ზ. სამხარაძე	მანგანუმის დიოქსიდის მიღება ჭიათურის ოქსიდური მადნებიდან გოგირდოვანი აირის გამოყენებით; საქართველოს ქიმიური ჟურნალი	გადაცემულია დასაბეჭდად	თბილისი	
ნაშრომში მოტანილია ჭიათურის ოქსიდური მადნებიდან მანგანუმის დიოქსიდის მიღების ხერხი გოგირდოვანი აირის გამოყენებით, ასევე სულფატური ხსნარების დაჟანგვა ოზონის საშუალებით. წარმოქმნილი პროდუქტი – γ მოდიფიკაციის მანგანუმის დიოქსიდი ავლენს მაღალ ელექტროქიმიურ აქტივობას.					
22	ბ.ფურცელაძე, მ. სვანიძე, ე.შოშიაშვილი, ი. ჩხაიძე, რ. ჩაგელიშვილი, ზ. სამხარაძე	მანგანუმის სულფატის მიღება ჭიათურის მანგანუმის შლამები-დან გოგირდოვანი აირისა და გოგირდ-მჟავას ერთობლივი მოქმედებით. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისმაცნე;ქიმიის სერია	ტ. 41, № 3, გვ. 182-183, 2015 წ.	თბილისი; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა	2
ნაშრომში განხილულია მანგანუმის სულფატის მიღება მანგანუმის მადნების გამდიდრების კუდების - დაბალხარისხოვანი მანგანუმშემცველი შლამების ქიმიური გადამუშავებით. პროცესი ხორციელდება გოგირდმჟავასა და გოგირდოვანი აირის ერთდროული გამოყენებით, რის შედეგადაც გამოირიცხება მაღალტემპერატურული აღდგენითი პროცესი.					
23	ბ.ფურცელაძე, მ. ავალიანი,	მანგანუმის კონცენტრატების	ტ41 №3, 2015	თბილისი; საქართველოს	300-303

	მ. სვანიძე, ე.შოშიაშვილი, ზ. სამხარაძე, ნ. ბარნოვი	მიღება. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე; ქიმიის სერია		მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა	
ნაშრომში განხილულია მანგანუმის კონცენტრატების მიღების მეთოდი, რომლის დროსაც გამოყენებულია მანგანუმის ოქსიდების აღდგენა ნახერხით შედარებით დაბალ ტემპერატურაზე გოგირდმჟავის არეში.					
24	ზ. სამხარაძე, ბ.ფურცელაძე, ე. ცხაკაია	საქართველოს ბუნებრივი სასმელი წყლების მდგომარეობა რეგიონებში. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე; ქიმიის სერია	ტ.41. №1-2, გვ.9-12, 2015	თბილისი; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა	3
შესწავლილიასაქართველოს რეგიონების ბუნებრივი სასმელი წყლები, მათში განისაზღვრა მეტალების და ბაქტერიების შემცველობა, დადგინდა, რომ წყლები დაბინძურებულია Escherichia coli-ს ბაქტერიებით, მძიმე მეტალების რაოდენობა კი აჭარბებს ზღვრულად დასაშვებ ნორმებს.					
25	გ.ცინცაძე მ.ცინცაძე ნ.გეგეშიძე დ.ლოჩოშვილი ლ.სხირტლაძე ნ.ენდელაძე თ.ტურიაშვილი	გამხსნელის გავლენა დიმეთილაცეტამიდის კომპლექსწარმოქმნის უნარზე	საქართველოს ქიმიური ჟურნალი, 15(1) 2015		4
ქვანტურ-ქიმიური მეთოდით AM1 გამოთვლილია დიმეთილაცეტამიდის ენერგეტიკული, გეომეტრული და სტრუქტურული მახასიათებლები. ელექტრონული სტრუქტურის მიხედვით დადაგენილია გამხსნელის გავლენა ლითონებთან მისი კომპლექსწარმოქმნის უნარზე.					
26	ა.მაგერამოვი მ.ცინცაძე ს.გაჯიევა ჯ.ალიკბეროვი ფ.ბახმანოვა ფ.ჩირაგოვი	*ბისმუტი(III)-ის კონცენტრირება თიოშარდოვანას ფრაგმენტების შემცველი ხელატწარმომქმნელი სორბენტით.*	*საქართველოს ქიმიური ჟურნალი, 15(1) 2015*		4

	სინთეზირებულია სორბენტი სტიროლთან მალეინის ანჰიდრიდის პოლიმერის საფუძველზე, რომელიც თიოშარდოვანას ფრაგმენტებს შეიცავს. აგებულია სინთეზირებულ სორბენტთან ბისმუტის სორბციის იზოთერმა და განსაზღვრულია კონცენტრირების ოპტიმალური პირობები. ოპტიმალურ პირობებში ბისმუტ (III)-ის იონების ამოწვლილვის ხარისხი აჭარბებს 95%. შესწავლილია სორბენტიდან ერთნაირი კონცენტრაციის სხვადასხვა მინერალური მჟავების ($HClO_4$, H_2SO_4, HNO_3, HCl) გავლენა ბისმუტი(III)-ის დესორბციაზე. ექსპერიმენტის შედეგების მიხედვით ბისმუტი(III-)-ის მაქსიმალური დესორბცია მიმდინარეობს მარილმჟავაში.				
27	Kh.Gogaladze L.Chakvetadze M.Tsintsadze T.Farkas B.Chakvetadze	**Effect of Basic and Acidic Additives on the Separation of Some Basic Drug Enantiomers on Polysaccharide-Based Chiral Columns With Acetonitrile as Mobile Phase**	*ფარმაციის და ბიოსამედიცინო ანალიზის ჟურნალი* *26-ე საერთაშორისო სიმპოზიუმი ფარმაციაში და ბიოსამედიცინო ანალიზში*		3
კვანტურ-ქიმიური ნახევრადემპირიული AM1 მეთოდით გამოთვლილია იზონიკოტინჰიდრაზიდის ენერგეტიკული, გეომეტრიული და სტრუქტურული მახასიათებლები. მათი საშუალებით გარკვეულია ლითონებთან მისი კომპლექსწარმოქმნის უნარიანობაზე გამხსნელის გავლენა. დადგენილია ლითონებთან იზონიკოტინჰიდრაზიდის კოორდინირების წესი, რაც დადასტურებულია მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტული მონაცემებით.					
28	თ.ცინცაძე მ.ცინცაძე ნ.გელოვანი ნ.ბოლქვაძე ე.თოფურია დ.ლოჩოშვილი	ფარმაცევტულ პრეპარატთან კომპლექსწამოქმნის უნარიანობაზე გამხსნელის გავლენის კვანტურ-ქიმიური შესწავლა. 1.ანტიტუბერკულიოზური პრეპარატი-იზონიკოტინჰიდრაზიდი (ტუბაზიდი)	საქართველოს ქიმიური ჟურნალი, 15(2) 2015		4
შესწავლილი იყო პოლისაქარიდის ენანტიომერული დაყოფა 16 საბაზისო სამედიცინო ერთეულზე, რომელიც დაყრდნობილი იყო მჟავა სელექტორებზე. გამოყენებული იქნა აცეტონიტრილი, როგორც მობილური ფაზა ძირითადი როლის გათვალისწინებით მჟავური დანამატებით და ელუციური კანონზომიერებით. გამოკვლეული იქნა ქირალური					

	სელექტორები, კერძოდ ამილოზა, ფენილკარბონატზე დაყრდნობილი, რომელიც უფრო ხშირად მიუთითებს ქირალური აღიარების უნარიანობას ცელულოზასთან შედარებისას ფენილკარბონატის ჯგუფიდან. საინტერესო დაკვირვებას ჰქონდა ადგილი ჭიანჭველამჯავას გამოყენებით ენანტიომერების დადგენას და მისი ელუციური კანონზომირებას ზოგიერთ მედიკამენტურ პრეპარატზე.				
29	თ.ცინცაძე ი.გველესიანი ნ.კილასონია თ.გიორგაძე მ.ცინცაძე	2,6-დიეთილ-4,8-დიმეთილ-2,4,6,8-ტეტრააზაბიციკლო[3,3,0] ოქტანდიონ -3,7-ის (ალბიკარის) კომპლექსწარმოქმნის უნარზე გამხსნელის გავლენის კვანტურ-ქიმიური შესწავლა	საქართველოს ქიმიური ჟურნალი, 15(2) 2015		4
კვანტურ-ქიმიური AM1 მეთოდით გამოთვლილია 2,6-დიეთილ-4,8-დიმეთილ-2,4,6,8-ტეტრააზაბიციკლო [3,3,0] ოქტანდიონ-3,7-ის (ალბიკარის) ენერგეტიკული, გეომეტრიული, ელექტრონული და სტრუქტურული მახასიათებლები სხვადასხვა გამხსნელებში. დახასიათებულია ამ მოლეკულის მეტალებთან კომპლექსწარმოქმნის უნარი.					
30	გ.ცინცაძე მ.ცინცაძე ნ.გეგეშიძე მ.მამისეიშვილი მ.კერესელიძე დ.ლოჩოშვილი	გამხსნელის გავლენა N,N-დიმეთილფორმამიდის კომპლექსწარმოქმნის უნარზე	საქართველოს ქიმიური ჟურნალი, 15(2) 2015		5
ქვანტურ-ქიმიური მეთოდით AM1 გამოთვლილია N,N-დიმეთილფორმამიდის ენერგეტიკული, გეომეტრული და სტრუქტურული მახასიათებლები. ელექტრონული სტრუქტურის მიხედვით დადგენილია გამხსნელის გავლენა ლითონებთან მისი კომპლექსწარმოქმნის უნარზე. ლითონის კოორდინირების წესის მიხედვით კვანტურ-ქიმიური გათვლებისა და რენტგენოსტრუქტურული ანალიზის შედეგები ემთხვევა ერთმანეტდ (როგორც სხვა ამიდების უმრავლესობა N,N-დიმეთილფორმამიდის მოლეკულა კოორდინირდება ლითონებთან კარბოქსილის ჯგუფის ჟანგბადის ატომის მეშვეობით).					
31	თ.ცინცაძე ი.გველესიანი ნ.კილასონია ა.მამულაშვილი ნ.თაბუაშვილი დ.ლოჩოშვილი	გამხსნელის გავლენა კარბამიდის (შარდოვანას) კომპლექსწარმოქმნის უნარზე	საქართველოს ქიმიური ჟურნალი, 15(2) 2015	თბილისი	6

ქვანტურ-ქიმიური მეთოდით AM1 გამოთვლილია კარბამიდის (შარდოვანას) ენერგეტიკული, გეომეტრული და სტრუქტურული მახასიათებლები. ელექტრონული სტრუქტურის მიხედვით დადაგენილია გამხსნელის გავლენა ლითონებთან მისი კომპლექსწარმოქმნის უნარზე.

32	**Г.А.Цагарели Ш.М.Махатадзе Н.Г.Майсурадзе Л.Г.Бацанадзе**	**Конденсаторные свойства анодных плёнок диоксида марганца, полученных из растворов, содержащих ионы железа**	საქარტველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე,ქიმიის სერია. 2015,№4	თბილისი	3

Fe^{2+}იონების შემცველი ხსნარებიდან მიღებული მანგანუმის დიოქსიდის ფირების, სისქით 100, 200 და 300 ნმ, ელექტროქიმიური მდგრადობა შევისწავლეთ ციკლური ვოლტამპერომეტრიის მეთოდით. მეათასე ციკლის შემდეგ 100 და 200 ნმ სისქის ფირების ციკლური ვოლტამპეროგრამა პრაქტიკულად არ იცვლიდა ფორმას, ხოლო ტევადობის დანაკარგი 10 % შეადგენდა. 300 ნმ სისქის ფირის ტევადობის დანაკარგი ანალოგიურ პირობებში 35 % უდრიდა, ამასთან მრუდის ფორმა მკვეთრად იცვლებოდა. Fe^{2+} იონების Fe^{3+} იონებით ჩანაცვლება იწვევდა ფირების ტევადობის ზრდას 25-30 %-ით.

33	თ. როყვა, თ. ჩახუნაშვილი, დ. ძანაშვილი, ნ. ბუთლიაშვილი და სხ.	აზოტმჟავა ელექტროლიტებიდან წვრილდისპერსული ელექტროლიზური მანგანუმის დიოქსიდის მიღების პროცესის კვლევა. საქ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია.	ტ.41, №3. 2015.	თბილისი	310-312

შესწავლილია წვრილდისპერსული ელექტროლიზური მანგანუმის დიოქსიდის აზოტმჟავა ელექტროლიტებიდან მიღების პროცესი. დადგენილია ელექტროლიზის ოპტიმალური რეჟიმი, ემდ-ის მიღების პირობები და განსაზღვრულია მისი გამოყენების სფეროები

34	თ. როყვა, თ. ჩახუნაშვილი, დ. ძანაშვილი, ნ. ბუთლიაშვილი და სხ.	მანგანუმის კარბონატული მადნის აზოტმჟავური მეთოდით გამოტუტვის პროცესის და პირობების კვლევა. სამთო ჟურნალი.	№ 1(34), 2015	თბილისი	32-36

განხილულია მანგანუმის კარბონატული მადნის აზოტმჟავური მეთოდით გამოტუტვის პროცესი; დადგენილია ტემპერასტურის, პროცესის ხანგრძლივობის, მჟავის კონცენტრაციისა და მორევის ინტენსიურობის გავლენა გამოტუტვის პროცესზე და მანგანუმის ამოღების ხარისხზე.					
35	თ. როყვა, თ. ჩახუნაშვილი, დ. ძანაშვილი, ნ. ბუთლიაშვილი და სხ.	წვრილდისპერსული ელექტროლიზური მანგანუმის დიოქსიდის რენტგენოფაზური და თერმოქიმიური კვლევა. საქ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია.	გადაცემულია გამოსაქვეყნებლად	თბილისი	
რენტგენოფაზური და თერმოგრავიმეტრული ანალიზის მეთოდით შესწავლილია მანგანუმის ( ) ნიტრატის აზოტმჟავური ხსნარებიდან ელექტროლიზის გზით მიღებული მანგანუმის დიოქსიდის ფაზური შედგენილობა.					
36	თენგიზ მაჩალაძე, მადონა სამხარაძე, ნინო კახიძე	მინერალ დოლომიტის დისოციაციის თერმო-გრავიმეტრული კვლევა. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია	2015, ტ.41, №1-2	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა; თბილისი, რუსთაველის გამზირი 52	
თერმოგრავიმეტრული მეთოდით შესწავლილია მინერალ დოლომიტის დისოციაციის პროცესი. დადგენილია გახურების სიჩქარე და წნევის გავლენა დისოციაციის პროცესზე.					
37	**Т.В.Роква, Т.А.Чахунашвили, Д.И.Дзанашвили, Т.Е.Мачаладзе**	**Исследование процесса получения мелкодис-персного электролитичес-кого диоксида марганца из азотнокислых электролитов.** საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია	2015, ტ.41, №3	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა; თბილისი, რუსთაველის გამზირი 52	
შესწავლილია წვრილდისპერსიული ელექტროლიზური მანგანუმის დიოქსიდის აზოტმჟავა ელექტროლიტებიდან მიღების პროცესი. დადგენილია ელექტროლიზის ოპტიმალური რეჟიმი, ემძ-ის მიღების პირობები და განსაზღვრულია მისი გამოყენების სფეროები.					
38	ვ.ბახტაძე ვ. მოსიძე ნ.ხარაბაძე	CO -ს დაჟანგვის კატალიზატორების აქტივობაზე	ტ.15, №1	საქართველოს ქიმიური საზოგადოება,	სამი

	დ. ძანაშვილი რ. ჯანჯღავა მ.ფაჯიშვილი ნ .ჩოჩიშვილი	პალადიუმის კონცენტრაციისა და აღმდგენელის გავლენა. „საქართველოს ქიმიური ჟურნალი“	2015	თბილისი	
დინამიკურ საადსორბციო დანადგარზე ჩატარდა წყალბადით ადსორბციული გაზომვები. CO -ს დაჟანგვის კატალიზატორის აქტივობაზე, დისპერსულობასა და ხვედრითი და აქტიური ზედაპირების სიდიდეებზე **Pd**- ის კონცენტრაციისა და აღმდგენელების (H_2, ამიაკიანი წყლისა და ფორმიატის ხსნარები) გავლენის განსასაზღვრავად ნაჩვენებია, რომ 400 ^0C ტემპერატურაზე წყალბადით აქტივაციისას მთავრდება მეტალისა და აქტიური ზედაპირის ფორმირების პროცესი. **Pd**- ის ნაწილაკების დისპერსულობის მუდმივი მნიშვნელობისას - 29 – 34 Å, შეინიშნება პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება კატალიზატორში მეტალის შემცველობასა და აქტიური ზედაპირის სიდიდეებს შორის.				
39	ვ.გვახარია ა.ჭირაქაძე ო.წიკლაური ჯ.ახვლედიანი	მეორადი რესურსების ინდუსტრია საქართველოს მდგრადი განვით რების ინსტიტუტის შრომები.	საქართველო 2050 2015	საქართველოს მდგრადი განვით რების ინსტიტუტის შრომები	20 196-216
სტატიაში განხილულია ნარჩენების აღრიცხვისა და მართვის დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში. მათთან დაკავშირებული ეკოლოგიური პრობლემები. განხილულია ნარჩენების გადამუშავების “მწვანე ინდუსტრიის” დანერგვის პერსპექტივა.					
40	ო.ქუცნაშვილი, ო.წიკლაური	ჯანსაღი გარემო და ეკოლოგიური უსაფრთხოება საქართველოს მდგრადი განვით რების ინსტიტუტის შრომები	საქართველო 2050 2015	საქართველოს მდგრადი განვით რების ინსტიტუტის შრომები	319-326
სტატიაში განხილულია გარემოს გაჯანსაღებისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების გზები. დასაბუთებულიანარჩენების აღრიცხვის, პასპორტიზაციის და უტილიზაციის, ეკოლოგირი ატლასის შექმნის აუცილებლობა. განხილულია საქართველოში ეკოლოგიური თვალსაზრისით ყველაზე საშიში რეგიონების მდგომარეობა და ამ პრობლემების მოგვარების გზები.					
41	**T. Marsagishvili, G. Mamniashvili, G. Tatishvili,**	**Study of temperature dependence of some physical characteristics of**		**თბილისი, საქართველო**	**p.212-216**

	N. Ananiashvili, M. Gachechiladze, J. Metreveli.	**electrolytic nickel coatings on copper** **International conference Advanced Materials and technologies. Tbilisi, Georgia 21-23 october, 2015**			
სამუშაოში წარმოდგენილია სპილენძის ფუძეზე, მონიკელების პერსულფატიანი და ეკონომიური ხსნარებიდან მიღებული სხვადასხვა სისქის ნიკელის დანაფარების მექანიკური თვისებების (იუნგის მოდული და შინაგანი ხახუნი) კვლევა თერმულ დამუშავებამდე და მის შემდეგ (950-1000^{0}C).					

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**E. Kvaratskhelia, R.Kvaratskhelia, R. Kurtanidze**	**Advances in Chemistry Research. Volume 20, chapter 9: The Electrolytic Dissociation of Alkyl and Aryl Derivatives of Glutaric Acid, pp. 165-176.**	**USA, New York, Nova Science Publishers**	12
ავტორების მიერ შემუშავებული სუსტი მრავალფუძიანი ორგანული მჟავების დისოციაციის პროცესების ანალიზის ორიგინალური მეთოდის გამოყენებით შესწავლილია β-მეთილგლუტარის, β-ეთილგლუტარის, β-პროპილგლუტარის, β-იზოპროპილგლუტარის, β,β′-დიმეთილგლუტარის, β,β′-მეთილეთილგლუტარის და 2,2-დიფენილგლუტარის მჟავების ელექტროლიტური დისოციაციის კანონზომიერებები. დისოციაციის ჩვეულებრივი და "პარციალური" ხარისხების სიდიდეები ორივე საფეხურისთვის და მოცემული მჟავების სხვადასხვა იონიზირებული და არაიონიზირებული ფორმების კონცენტრაციები განსაზღვრული იყო მჟავების განზავებული ხსნარების კონცენტრაციების ფართო ინტერვალში. განსაზღვრულ იყო აგრეთვე ყველა ზემოდ აღნიშნული მჟავას სხვადასხვა ფორმების დომინირების კონცენტრაციული ინტერვალები მათ განზავებულ ხსნარებში. შემოთავაზებულია აგრეთვე მარტივი ემპირიული განტოლებები მჟავების დისოციაციის ხარისხებისა და PH–ის სიდიდეების სწრაფი მიახლოებითი განსაზღვრისათვის.					

სტატიები უცხოეთში

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	T.Marsagishvili, M.Machavariani, G.Tatishvili, E.Tskhakaia.	Theoretical models for photocatalysis process.	5(1)	International Journal of Research in Pharmacy and Chemistry	1

მუხტის გადატანის პროცესების რეგულაცია ქიმიურ სისტემებში არის სხვადასხვა პროდუქტების მიღების საფუძველი. განსაზღვრული ენერგიის მქონე ფოტონებით ზემოქმედება სისტემაზე სხვადასხვა ქიმიური გარდაქმნების განხორციელების და ისეთი პროდუქტების მიღების საშუალებას იძლევა, რომელთა მიღება სხვა პირობებში შეუძლებელია.

ამ სამუშაოში განხილულია ქიმიურ სისტემებში მუხტის ფოტოგადატანის პროცესების თეორიული საფუძვლები. კინეტიკური პარამეტრების, კერძოთ, პროცესის სიჩქარის კონსტანტის ანალიზური გამოსახულებების ანალიზი საშუალებას იძლევა პარამეტრების მნიშვნელობების დიაპაზონის დადგენის, როცა ფოტოგადატანის პროცესი მიმდინარეობს კატალიზურად. ფოტოლიზის დროს ნივთიერების დაშლის შემთხვევაში ის სხივდება განსაზღვრული ტალღის სიგრძის მქონე სინათლით, რომელიც ახლოსაა ამ ნივთიერების მიერ სინათლის შთანთქმის მაქსიმუმთან. ასეთი დასხივების ზემოქმედების ქვეშ ატომების რხევები მოლეკულებში ძლიერდება, რაც იწვევს მათ შორის ბმების გახლეჩას. შესაბამისი მოდიფიცირებული ცეოლიტის შერჩევა საშუალებას იძლევა გოგირდწყალბადის, მეთანის და სხვ. ფოტოლიზის პროცესის ჩატარებას უფრო ეკონომიურად.

2	**G.S. Tsurtsumia, N.S. Koiava, G.G.Gogishvili, I.T. Zaridze, I.B.Kakhniashvili G.G.Gorelishvili V.M. Kveselava P. N.Nikoleishvili**	**“Simultasneoues Prodaction of Electrolytic Metallic Manga-nese and Electro-lytic Manganese Dioxide in an AMI 7001S Anion Exchange Memb-rane Electroche-mical Reactor” J.Electrochemical Society.**	**162, (8) E96-E103 (2015).**	**(აშშ)**	**8**

განხილულია ელექტროქიმიურ რეაქტორში ერთდროულად კათოდზე მეტალური მანგანუმის და ანოდზე კომპაქტური ელექტროლიტური მანგანუმის მიღების ექსპერიმენტალური შედეგები და განხილულია მათი მიღების სავარაუდო ტექნოლოგიური სქემა.

3	**P. Nikoleishvili, G. Tsurtsumia, V. Kveselava, G. Gorelishvili, R. Kurtanidze, N. Koiava, I.Kakhniashvili, D. Sharabidze**	**”Waste Treatment in Direct Borohydride Fuel Cell with Bipolar Membrane” Open Journal of Ecology**	**5 , pp.22-32**	**(აშშ)**	**11**

	დადგენილია, რომ ბიპოლარული მემბრანა პირდაპირი ბორჰიდრიდულ სათბობის ელემენტში (პბსე) H_2O_2-ის კოგენერაციით ხელს უწყობს კათოლიტში pH-ის შენარჩუნებას 2.5-3.2 დიაპაზონში და იძლევა ორგანული ნაერთებით დაბინძურებული კათოლიტის გაწმენდის საშუალებას. წყლის დამუშავება ხორციელდებოდა ელექტრო-ფენტონისა და ფოტო-ელექტრო-ფენტონის მეთოდების გამოყენებით. მათ შორის უფრო ეფექტური აღმოჩნდა ფოტო-ელექტრო-ფენტონის მეთოდი, რომელმაც კათოლიტის 20^0C ტემპერატურაზე 180 წთ-ის განმავლობაში ფენოლ-, ვალსარენ-, BI-58- (400 გ/ლ დიმეთოატი) და ვალსაციპერშემცველ ხსნარებში მოგვცა ჟანგბადის ქიმიური მოხმარების (ჟქმ) შემცირების საშუალება 500 ppm-დან შესაბამისად 30, 11, 9 და 3 ppm-მდე. კათოლიტის ტემპერატურის გაზრდით ხსნარის დამუშავების იმავე დროის განმავლობაში ფენოლის ჟქმ შემცირდა 5 ppm-მდე.				
4	**П.Николеишвили, Г. Цурцумия, В. Квеселава, Г. Горелишвили, Р. Куртанидзе, Д.Шарабидзе, Д. Дзанашвили**	**“Использование водорода, полученного риформингом $NaBH_4$ на модифицированном кобальтовом катализаторе в водородно-кислородном топливном элементе” Электрохимия**	**т. 51, № 7 ст.1-7**	**მოსკოვი (რუსეთი)**	**7**
	სტატიაში აღწერილია ულტრა-ბგერის გამოყენებით წვრილდისპერსული კობალტ-ბორიდის კატალიზატორის სინთეზი. მიღებული კატალიზატორის გამოცდა ხორციელდებოდა $NaBH_4$-ის ტუტე ხსნარის ჰიდროლიზისას. გამოკვლეულია ტემპერატურის გავლენა წყალბადის გამოყოფის სიჩქარეზე. $NaBH_4$-ის ჰიდროლიზის აქტივაციის ენერგია შეადგინა 58,57 კჯ მოლ$^{-1}$, რაც ახლოსაა რიფორმინგში გამოყენებული ძვირადღირებული რუთენიუმის კატალიზატორების აქტივობასთან (56 კჯ მოლი$^{-1}$). გენერირებული წყალბადი გამოყენებული იყო წყალბადის პეროქსიდის კოგენერაციით H_2-0_2 სათბობის ელემენტის მოსამარაგებლად, რომლის დენის სიმკვრივემ და H_2O_2-ის დენის გამოსავალმა 20^0C ტემპერატურაზე 2 სთ განმავლობაში შეადგინა შესაბამისად 29 მა სმ$^{-2}$ და 97%.				
5	**P. Nikoleishvili, G. Tsurtsumia, V. Kveselava, G. Gorelishvili, R. Kurtanidze, D. Sharabidze, D. Dzanashvili**	**”Using Hydrogen Obtained by Reforming of $NaBH_4$ on Modified Cobalt Catalyst in Hydrogen–Oxygen Fuel Cell” Russian journal of Electrochemystry.**	**Vol. 51, № 7 pp.665–671**	**მოსკოვი (რუსეთი)**	**7**

	სტატია წარმოადგენს რუსულენოვანი სტატიის (იხ. 3) თარგმანს, რომელიც გამოცემულია იგივე დასახელების ინგლისურენოვან ჟურნალში				
6	**P.O. Nikoleishvili, G.S. Tsurtsumia, M.A. Avaliani, V.M. Kveselava, G.G. Gorelishvili, R.R. Kurtanidze**	**”Electrosyntesis of oxidizers – hydrogen peroxide, sodium perborate and sodium hypochlorite” Materials of Internetional scientific conference ”Multifunctional chemical materials and technologies”**	**Vol. 3 pp.109-114 21-22 maisi**	**ტომსკი (მოსკოვი)**	**6**
	სტატიაში განხილულია წყალბადის პეროქსიდის, ნატრიუმის პერბორატისა და ჰიპოქლორიტის ერთდროულ სინთეზის ექსპერიმენტალური მასალები ფილტრ-პრესული ტიპის ელექტროლიზერში როგორც კათოდური, ასევე ანოდური დენების რაციონალური უტილიზაციით.				
7	**E. Kvaratskhelia, R.Kvaratskhelia, R. Kurtanidze**	**“The Regularities of the Electrolytic Dissociation of Weak Monobasic, Dibasic and Tribasic Organic Acids Contained in Honey” Chemical Problems Baku, Azerbaijan Nat. Acad. Sci**	**№ 4, pp. 335-344**	**ბაქო (აზერბაიჯანი)**	**10**
	თაფლში არსებული სხვადასხვა ორ- და სამფუძიანი სუსტი ორგანული მჟავების ელექტროლიტური დისოციაციის პარამეტრების გათვლა განხორციელებულია სუსტი მრავალფუძიანი ორგანული მჟავების ელექტროლიტური დისოციაციის პროცესების ანალიზისათვის ავტორების მიერ შემოთავაზებული ორიგინალური მეთოდის დახმარებით. ეს მჟავებია: ვაშლის, ქარვის, ღვინისა და ლიმონის მჟავები. იყო აგრეთვე განსაზღვრული თაფლში არსებული ზოგიერთი ერთფუძიანი სუსტი ორგანული მჟავას (გლუკონის, რძისა და ერბოს მჟავები) დისოციაციის პარამეტრები. გათვლილია სხვადასხვა დამუხტული და დაუმუხტავი ნაწილაკების დომინირების კონცენტრაციული ინტერვალები აღნიშნული მჟავების განზავებულ ხსნარებში. შემოთავაზებულია აგრეთვე მარტივი ემპირიული განტოლებები დისოციაციის პარამეტრების სიდიდეების სწრაფი მიახლოებითი განსაზღვრისათვის.				
8	**L. Gurchumelia, Z.Buachidze A.Chirakadze, A.Gigineishvili, V.Gvakharia, W. Toscano, G. Oniashvili, G.Zakharov, M. Wireman.**	**COMBINED PROCESSING OF WASTE ORGANIC POLYMERS AND MANGANESE BEARING WASTE/LOW GRADE ORES INTO FUELS AND LOW-CARBON MANGANESE ALLOYS. International Journal of Global Warming Publisher: Inderscience Current impact factor: 1.70**	**IJGW-90258 Vol. 10, # 1, 2016 (in print)**	**Istanbul, Turkey**	
ნაშრომში აღწერილია მანგანუმის ოქსიდის კონცენტრატების მიღება, არასაჭირო ორგანული პოლიმერების, საბურავებისა და მანგანუმის დაბალხარისხოვანი მადნების კომბინირებული,					

მიკროტალღური გადამუშავების მეთოდით. მიკროტალღური გათბობა უზრუნველყოფს ენერგიის მოხმარების დაახლოებით 2-ჯერ შემცირებას. მიღებული კონცენტრატები შეიძლება იქნას გამოყენებული როგორც დანამატები საკვების ან დამუშავებული მაღალი ხარისხის მანგანუმის შენადნობებისა (მეტალური მანგანუმის, დაბალნახშირბადიანი ფერომანგანუმის, მანგანუმის კომპლექსური შენადნობების).

9	**L. Gurchumelia, A. Chirakadze, W. Toscano, V.Gvakharia, M. Wireman, G.i Kervalishvili.**	**COMPLEX PROCESSING OF MANGANESE BEARING WASTE AND LOW-GRADE ORES BY AUTOCLAVING METHOD. International Journal of Global Warming Publisher: Inderscience Current impact factor: 1.70**	**IJGW-90762 Vol. 10, # 3, 2016 (in print)**	**Istanbul, Turkey**	

ნაშრომში აღწერილია დაბალხარისხოვანი სპილენძისა და მანგანუმის მადნების და მათი ნარჩენების გადამუშავების ავტოკლავური ჟანგბადიანი გამოტუტვისა და მიკროტალღური გაცხელების კომპლექსური მეთოდი. აღნიშნული კომპლექსური მეთოდი მნიშვნელოვნად ამცირებს ენერგიის ხარჯს, არის უნარჩენო და ეკოლოგიურად უსაფრთხო. ამიტომ ის შეიძლება საფუძვლად დაედოს მანგანუმის ოქსიდების, ოქროსა დავერცხლის კონცენტრატების, გოგირდისა და სპილენძის ნაერთების სამრეწველო წარმოებას.

10	**Paata Nikoleishvili, Gigla Tsurtsumia Marina Avaliani, Valentina Kveselava, Georgi Gorelishvili, Rusudan Kurtanidze**	**“ELECTROSYNTHESIS OF OXIDIZERS - HYDROGEN PEROXIDE , SODIUM PERBORATE AND SODIUM HYPOCHLORITE” Multifunctional chemical materials and technologies. Collection of articles. Tomsk, 2015. 238 pages**	**Vol. 3. p. 238**	**THE MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF THE RUSSIAN FEDERATION NATIONAL RESEARCH TOMSK STATE UNIVERSITY . Tomsk, Russia.**	**7 pages 107-113**

კრებულის სამი ტომი მოიცავს მოხსენებათა ერთობლიობას ინგლისურ ენაზე.

ჩვენს მიერ წარდგენილ და კრებულის მე-3 ტომში განთავსებულ 7 გვერდიან მოხსენებაში ვრცლად არის განხილული დამჟანგველების – წყალბადის პეროქსიდის, ნატრიუმის პერბორატის და ნატრიუმის ჰიპოქლორიტის ელექტროსინთეზის შესაძლებლობები და ექსპერიმენტის ოპტიმალური პირობები.

11	N. G. Margiani · G. A. Mumladze · Z. A. Adamia · N. A. Papunashvili · D. I. Dzanashvili.	Influence of Pb(BO2)2 Doping on Superconduc - ting Properties of (Bi,Pb)-2223 HTS. J. Supercond Nov Magn 28	DOI 10.1007/s10 948-014-2709-7		4
სტატიაში განხილულია (Bi,Pb)-2223 ტიპის ზეგამტარ კერამიკაში ფაზათა წარმოქმნაზე $Pb(BO_2)_2$ დოპანტის ზეგავლენა. შერჩეულია დოპანტის ოპტიმალური რაოდენობა, რომლის დროსაც ხდება კერამიკაში 2223 ფაზის მაქსიმალური წარმოქმნა.					
12	P.O. Nikoleishvili, G.S. Tsurtsumia, V.M. Kveselava, G.G. Gorelishvili, R.R. Kurtanidze, D.T. Sharabidze and D.I. Dzanashvili.	Using Hydrogen Obtained by Reforming on Modifided Cobalt Catalyst in Hydrogen-Oxigen Fuel Cell. Russian Journal of Electrochemistry	v.51, #7,	მოსკოვი	4
შესწავლილია CoB_2O_4-ის კატალიზატორის სინთეზის პროცესი ულტრაიონური დასხივებით და 450^0C ტემპერატურამდე გახურებით, რომელიც გამოყენებულია $NaBH_4$ -ის ხსნარის ჰიდროლიზისათვის. გამოთვლილია წყალბადის გამოყოფის სიჩქარე და რეაქციის აქტივაციის ენერგია.					
13	N. Margiani, S.Nikoghosyan, Z. Adamia, D. Dzanashvili, V, Kuzanyan, N.Papunashvili, I. Qvartshava, V. Zhghamadze.	Enhancement of Phase Formation and Critical Current Denasity in (Bi,Pb)-2223 Supercondactor by Boron Addition and Ball Milling. International Journal of Advanced Applied Physics Research	#2		4
შესწავლილია (Bi,Pb)-2223 ტიპის მაღალტემპერატურულ ზეგამტარ კერამიკაზე ბორის დოპირების და დაფქვის გავლენამის ფაზათა წარმოქმნაზე და გამტარულ თვისებებზე. მყარფაზური რეაქციის გზით მიღებულია ნიმუშები $Bi_{1.7}Pb_{0.3}Sr_2Ca_2Cu_3B_xO_x$, სადაც, x=0-0.5. რენტგენოფაზური, ელექტრონული მიკროსკოპიის, კუთრი წინაღობის და კრირიკული დენის სიმკვრივის გაზომვის მეთოდებით					

შესწავლილია არადოპირებული და დოპირებული კერამიკის ნაერთები.					
14	**S.V. Gotoshia, L.V. Gotoshia,**	**Laser Raman-Spectroscopy Identification of Ion-Synthesized Ternary Mixed $Ga_{1-x}Al_xP$ in Amorphous and Crystalline Phases, Acta Physica Polonica A 2015 DOI: 10.12693/APhysPolA.127.1680**	**Vol.127 N6,**		**page 1680-1687**
GaP-ში ალუმინის იონების იმპლანტაციით მივიღეთ სამმაგი ნახევარგამტარის $Ga_xAl_{1-x}P$ ორი სხვადასხვა შემადგენლობა ამორფულ მდგომარეობაში. სხვადასხვა ტემპერატურებზე შემდგომი თერმული დამუშავებით ამორფული ფაზა გარდაიქმნა კრისტალურ ფაზაში. ფაზური გარდაქმნების დინამიკა შევისწავლეთ ლაზერული რამან სპექტროსკოპიით. სინთეზირებული კრისტალები ამჟღავნებენ ორმოდიანი ნახევარგამტარების ყოფა-ქცევას. იონური იმპლანტაციით სინთეზირებული $Ga_xAl_{1-x}P$ ხასიათდება დეფექტური სტრუქტურით. იმპლანტაციის დოზის ზრდის პროპორციულად იზრდება დეფექტების კონცენტრაციაც.					

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**T.Marsagishvili, M.Machavariani, G.Tatishvili, R, Khositashvili, E.Tskhakaia, N.Ananiashvili, J.Metreveli,**	**Nano-sensors for modeling of radiation processes.**	**Tbilisi, April 22-23, 2015.**

	M.Kikabidze-Gachechiladze		

რეგისტრაციის თანამედროვე ტექნიკური შესაძლებლობები შეიძლება გამოყენებულ იქნას რადიაციული წყაროების კვლევის პროცესში, როცა მათი კონცენტრაცია დაბალია. რეგისტრაციის ოპტიკური მეთოდების გამოყენება და ადსორბენტების საშუალებით კონცენტრაციის გაზრდა გვაძლევს შესაძლებლობას გამოვიყენოთ ფოტონების რეგისტრაციაზე დაფუძნებული სენსორები. შეთავაზებულია მოცემული სენსორების გამოყენება ბიოლოგიურ სითხეებში (რადიოაქტიური ნივთიერებებით) არსებული ზოგიერთი ნივთიერების და წყლის ეკოსისტემებში მავნე რადიოაქტიური მინარევების განსასაზღვრავად. განხორციელებულია მუხტის გადატანისა და ელექტრონის აგზნების ენერგიის გადატანის პროცესების ანალიზი, ერთგვაროვან ელექტროქემილუმინესენციურ სისტემებში, ლენგმიურ-ბლოჯეტის ფირების შემცველი სისტემების ჩათვლით. მათემატიკური ფიზიკის ისეთი აპარატის გამოყენება, როგორიცაა გრინის ტემპერატურული ფუნქციები საშუალებას იძლევა აღწერილ იქნას რთული კონდენსირებული სისტემები და ამ სისტემებში მუხტის გადანისა და ფოტოგადატანის პროცესები. ეს მეთოდიკა საშუალებას იძლევა თეორიული მიდგომების უნიფიცირებისა და სისტემის სიხშირული და სივრცითი დისპერსიის ეფექტების აღსაწერად სხვადასხვა მოდელების ფართო გამოყენებისა

2	**T.Marsagishvili, G.Tatishvili, M.Gachechiladze, N.Ananiashvili, J.Metreveli, G.Mamniashvili**	**Obtaining of nikel-tungsten coating on copper and study of its properties.**	**4th International Caucasus Symposium on Polimers and. Batumi, Georgia 1-4 july, 2015 p.88**

მიღებულია ელექტროლიტური ნიკელ-ვოლფრამის დანაფარები სპილენძის ზედაპირზე. შესწავლილია ნიმუშების ხვედრითი წინაღობის ტემპერატურაზე დამოკიდებულება ნიმუშების თერმულ დამუშავებამდე და მის შემდეგ.

3	**გ. წურწუმია, ნ.ქოიავა, ი.კახნიაშვილი**	**“თუთია-მანგანუმის შენადნობის ელექტროგამო-ლექვა”**	**მე-2 საერთაშორისო კონფე-რენცია ახალი ტექნოლოგიე-ბი და მეთოდები არაორგ-ანულ მასალებში 22აპრილი. სტენდური მოხ-სენება. თბილისი, სას-ტუმრო “ვაკე”.**

სტენდურ მოხსენებაში მოყვანილი იყო თუთია-მანგანუმის გალვანური დანაფარების მიღებაზე ელექტროლიტის შედგენილობის, კათოდური დენის სიმკვრივის გავლენა მიღებული შენადნობის ქიმიურ შედგენილობაზე და მორფოლოგიაზე.

4	ი.კახნიაშვილი	“მანგანუმ-სპილენძის და მანგანუმ-სპილენძი-თუთია გალვანური შენადნობების ელექტროგამოლექვა ციტრატულ-სულფატური ელექტროლიტებიდან მაღალ კათოდურ დენის სიმკვრივეზე”	მე-4 საერთაშორისო კავკასიური სიმპოზიუმი პოლიმერებში და ახალ მასალებში. ბათუმის უნივერსიტეტი. 2ივნისი, სტენდური მოხსენება, ბათუმი.
სტენდურ მოხსენებაში მოყვანილი იყო მანგანუმ-სპილენძის და მანგანუმ-სპილენძი-თუთია გალვანური შენადნობების ელექტროგამოლექვაზე ელექტროლიზის რიგი პარამეტრების გავლენა შენადნობის გარეგან სახეზე, ქიმიურ შედგენილობაზე და მორფოლოგიაზე			
5	**Г.С. Цурцумия, Н.Ш.Коиава, И.Б.Кахниашвили, Н.Ш.Гогишвили**	**“Электоосаждение сплава цинк-марганец”**	**2nd International Conference Modern Technologies and Methods of Inorganic Materials Science Proc-eedings.20-24 აპრილი, 2015, თბილისი**
განხილულია თუთია-მანგანუმის გალვანური დანაფარების მიღება კომპლექსწარმომქმნელი ლიგანდების – ციტრატის, ნიტრილტრიძმარმჟავას და ეთილენდიამინტეტრაძმარმჟავას (ЭДТА) შემცველი ელექტროლიტებიდან			
6	**G.S.Tsurtsumia N.S.Koiava, I.B.Kakhniashvili, D.G.Gogoli, T.G.Lezhava**	**“Electrodeposition of Mn-Cu and Mn-Zn-Cu Alloys from citrate-sulfate electrolytes at high current densities”;**	**4nd International Caucasian symposium on polymers and advanced materials. 1-4 ივლისი, 2015, ბათუმი**
განხილულია ციტრატულ-სულფატური ელექტროლიტებიდან მაღალი კათოდური დენის სიმკვრივეებზე მანგანუმ-სპილენძის და მანგანუმ-სპილენძი-თუთია გალვანური შენადნობების ელექტროგამოლექვის ექსპერიმენტალური შედეგები.			
7	ლ.ღურჭუმელია	„ახალი ტიპის, ეკოლოგიურად უსაფრთხო, მაღალეფექტური ცეცხლმაქრი ფხვნილები“	რესპუბლიკური გამოფენა „ინოვაციური და მეცნიერებატევადი პროდუქციის ნიმუშები“. 1 – 7 ივნისი, 2015, თბილისი, საქართველო.
გამოფენაზე წარდგენილ მასალებში აღწერილია მინერალური ნედლეულის საფუძველზე ახალი ტიპის, უჰალოგენო, ეკოლოგიურად უსაფრთხო, მაღალეფექტური და იაფი კომპოზიციური ცეცხლმაქრი ფხვნილების დამზადების ტექნოლოგიური პროცესები, მათი ექსპლოატაციური თვისებები და მათი ეფექტური გამოყენების პირობები.			
8	**L. Ghurchumelia,A. Chirakadze, M. Gabrichidze, G. Chiradze, Z.Buachidze**	**Utilization of agricultural waste through biosynthesis of the metal nano- particles.**	**STEM Workshop on Nanotechnology amd Environmental Sciences. Tbilisi, Georgia, Sep. 4-6, 2015**

კონფერენციაზე წარდგენილ მასალებში აღწერილია ოქროს ნანონაწილაკების მიღების მეთოდები მისი ქლორიდის ($AuCl_3$) ხსნარის ბიოსინთეზით ყურძნის ნარჩენებისა და ჩაის ფოთლის ექსტრაქტის გამოყენებით, სუპერკრიტიკული ექსტრაგირებისა და ზემაღალსიხშირული გამოსხივების ზემოქმედების პირობებში.			
9	**L. Gurchumelia, F. Bejanov, M. Tsarakhov, Z. Khutsishvili, L. Nadareishvili.**	**Development of technology for production of new types, eco-safe, composite fire-extinguishing and fire- protective materials.**	**International conference - "Advenced materials and Technologies" 21-23 october, 2015. Tbilisi, Georgia.**
კონფერენციაზე წარდგენილ მასალებში აღწერილია ახალი ტიპის , ეკოლოგიურად უსაფრთხო, მაღალეფექტური და იაფი კომპოზიციური ცეცხლმაქრი ფხვნილებისა და მათ საფუძველზე ახლი ტიპის ცეცხლდამცავი საფარების დამზადების ტექნოლოგიური პროცესები, რომლებიც აღნიშნული მასალების სერიული წარმოების ტექნოლოგიებისაგან განსხვავებით არის მარტივი და იაფი. რაც განაპირობებს ჩვენს მიერ მირებული მასალების დაბალ ღირებულებას იმპორტულ ანალოგებთან შედარებით.			
10	**L. Gurchumelia, O. Kutsnashvili, O. Tsiklauri, A. Chirakadze, K.Chigogidze, G. Chiradze.**	**Geopolitical changes and new environmental challenges in the context of management of the industrial and municipal waste in the post soviet space. Prospective of "green" utilization of agricultural waste in Georgia. International conference – "Advenced materials and Technologies"**	**International conference - "Advenced materials and Technologies" 21-23 october, 2015. Tbilisi, Georgia.**
კონფერენციაზე წარდგენილ მასალებში აღწერილია საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის სისტემებსა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მეცნიერულად დასაბუთებული ნაციონალური პროგრამების შამუშავების გზები, აგრეთვე გარემოსდაცვით საქმიანობაში მოსახლეობის აქტიური ჩაბმის სოციო-ფსიქოლოგიური ასპექტები.			
11	**გ. წურწუმია, თ. ლეჟავა და სხვა**	**Electrodeposition of Mn-Cu and Mn-Zn-Cu alloys from citrate-sulfate electrolytes at high current densities**	**პოლიმერებსა და ახალ მასალებში მე-4 საერთაშორისო კავკასიური სიმპო-ზიოუმის თეზისები თსუ, თბილისი**
განხილულია ციტრატულ-სულფატური ელექტროლიტებიდან მაღალი დენის სიმკვრივეებზე Mn-Cu და Mn-Cu-Zn შენადნობების გამოლექვის ექსპერიმენტალური შედეგები			
12	**თ. ლეჟავა**	**ტექნოლოგია და მოწყობილობა საწვავი ბრიკეტების დასამზადებლად**	**რესპუბლიკური გამოფენა „ინოვაციური და მეცნიერებატევადი პროდუქციის ნიმუშები". 1 – 7 ივნისი, 2015, თბილისი,**

			საქართველო.
გამოფენაზე ექსპონირებული იქნა საწვავი ბრიკეტების დასამზადებელი მოწყობილობის კონსტრუქცია და მუშაობის პრინციპი, შემოთავაზებული ტექნოლოგიით დამზადებული ლაბორატორიული ნიმუშების ფიზიკურ- ქიმიური მახასიათებლები.			
13	მარინე ავალიანი	**არაორგანული პოლიმერების ახალი კლასის - სამვალენტიანი და ერთვალენტიანი მეტალების ორმაგი კონდენსირებული ფოსფატების ზოგადი მიმოხილვა (ინგლისურ ენაზე). Inorganic Polymers - Double Condensed Phosphates of mono- and polyvalent Metals- General overview.**	**16-18 ივლისი, 2015, თბილისი, საქართველო**
ჩვენი ჯგუფის მკვლევართა მიერ დეტალურად და წარმატებულად გამოკვლეულია მრავალკომპონენტიანი სისტემა, სამვალენტიანი მეტალების (გალიუმის, ინდიუმისა, სკანდიუმისა და ერთვალენტიანი მეტალების ორმაგი კონდენსირებული ფოსფატების საკრისტალიზაციო არეებსა და წარმოქმნის კანონზომიერებების დადგენის მიზნით. კერძოდ, შესწავლილია სისტემები M^{I}_2O-$M^{III}_2O_3$-P_2O_5-H_2O, ტემპერატურულ ინტერვალში 125-დან 400^0C – დე. ჩვენს მიერ პირველად მიღებულია მრავალი ახალი, დღემდე უცნობი ორმაგი კონდენსირებული ნაერთი, მათ შორის ციკლოოქტა- და ციკლოდოდეკაფოსფატები. ორმაგი პოლიფოსფატების უნიკალური თვისებების შესახებ მონაცემები დეტალურად და ფართოდ ციტირებულია ანდრე დიურიფის (Cristal Chemistry of Condensed Phosphates, A. Durif, 1999; Chemistry of Condensed Phosphates, A. Durif, 2013), ფ. დ'ივუარის და მარი-ტერეზ ავერბუხ-პუშოს (საფრანგეთი) და კ. პალკინას მონოგრაფიებში, ასევე შეტანილია აშშ მიერ დარეგისტრირებულ მონაცემთა ბაზებსა და სპექტრების ატლასებში; საზღვარგარეთ გამოსულ პუბლიკაციებში მოტანილია დაწვრილებითი ინფორმაცია მრავალი მათგანის სინთეზის, სტრუქტურის და თვისებების შესახებ.			
14	მარინე ავალიანი	**Overview of Synthesis and Properties of a New Group of Inorganic Polymers - Double Condensed Phosphates (ICAMT); (მოხსენება, Engl.version);** **არაორგანული პოლიმერების ახალი ჯგუფის – ორმაგი კონდენსირებული ფოსფატების სინთეზი და**	**21-23 ოქტომბერი, 2015, თბილისი, საქართველო**

		თვისებების მიმოხილვა.	

მრავალვალენტიანი მეტალების ორმაგი ფოსფატები გამოირჩევიან კონდენსირებული ანიონის ფორმის დიდი მრავალფეროვნებით. ნაერთთა უმრავალესობა გამოიყენება, როგორც მიკროელექტრონიკის მასალები, ბევრი მათგანი მოხმარებაშია, როგორც იონთმიმომცვლელები.

მრავალვალენტიანი მეტალების კონდენსირებული ფოსფატების მიღების ჩვენს მიერ დამუშავებული და აპრობირებული მეთოდი შემდეგია: შესაბამისი მეტალების ოქსიდებს ამატებენ სასურველი ტუტე მეტალის კარბონატს და ახურებენ 85%-ნი ფოსფორმჟავას არეში, სხვადასხვა ტემპერატურულ ინტერვალში; სინთეზი ტარდება ძირითადად მინა-გრაფიტის ტიგელებში, თუმცა ბოლო დროს გამოიყენება აგრეთვე ტიგელები ტეფლონის დაფარვით. ამ დროს ხდება ფოსფორმჟავის თერმული კონდენსაცია, რომელსაც თან ერთვის წყლის ორთქლის კონდენსაცია, რასაც თან მოსდევს სხვადასხვა კონდენსირებული ფოსფატის გამოყოფა. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ სინთეზის სირთულის გამო ზოგჯერ მიიღება სხვადასხვა ნაერთის ნარევი ან მეტასტაბილური ფაზა.

ჩვენი კვლევების შედეგად განხორციელდა სამვალენტიანი მეტალებისა და ზოგიერთი ტუტე მეტალის ორმაგი ოლიგო-, პოლი, და ციკლონაერთების მიღება, მათი აგებულების შესწავლა და დადგინდა ორმაგი ფოსფატების საკრისტალიზაციო ზღვრები.

15	**Sh.Japaridze, R.Gigauri, N.Bichiashvili**	**Arsenic-Containing Ore Production Waste Monitoring and Possibilitgies of Remediation in Racha-Svaneti Regions of Georgia.**	**International Conference. Advanced Materials and Technologies. Tbilisi. 21-23 oqtomberi**

ჩატარებული კვლევითისამუსაოები წარმოადგენს მნიშვნელოვან ანგარიშს რაჭა-სვანეთიოს უსაფრთხოებისათვის. ხუთი ამორტიზირებული სარკოფაგისათვიოს შესწავლილია დარისხანის საერთო შემცველობები. საერთაშორისო სტანდაერტების მიხედვით დადგენილია მათი ფორმები, ვალენტობა, ხსნადობის კოეფიციენტი, ტოქსიკურობის ხარისხი და გავრცელების არეალი. სტული სურათია წარმოდგენილი, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ახალი სარკოფასგის შერჩევა, რაც გულისხმობს არისხანის ნარცენების დამარხვას ხსნადობისა და ტოქსიკურობის გათვალისწინებით.

16	**Р.И.Гигаури, Ш.С.Джапаридзе, Р.Ш.Гигаури.**	**Мониторинг мышьяксодержащих руд и отходов производства в Рачинском и Сванетском регионах Грузии.**	**2nd International Conference. Modern Technologies and Methods of Inorganic Materials Science. 20-24 აპრილი, თბილისი**

განხორციელებულია რაჭა-სვანეთის დარიშხანშემცველი ნარჩენების ამორტიზირებული სარკოფაგების მონიტორინგი. დადგენილია დარიშხანის პროცენტული შემცველობები. თვითეული სარკოფაგისთვის. შესწავლილია მათი ფორმები, ვალენტობა, ხსნადობა, ტოქსიკურობის ხარისხი და გავრცელების არეალი. გამოყენებულია თანამედროვე საერთაშორისო ტესტმეთოდები (TCLP და WET). ნარჩენები გამოირჩევა მაღალი ტოქსიკურობის

ხარისხით.			
17	Ts. Gagnidze, R.ChageliShvili, N.Chavtasi.	Nontraditional Methods of Recovery of Gold from Fnthimony Ores and Concen trates.	International Conference. Advanced Materials and Technologies. 21-23 ოქტომბერი, თბილისი
ნარჩენებიდან ოქროს ამოსაღებად შესწავლილია ზოფხიტოს (ზემო რაჭა) ოქროს- შემცველი ანთიმონის მადნის ვაკუუმ-თერმული დამუშავების თიოკარბამიდური მეთოდის გამოყენების შესაძლებლობა. დადგენილია გამოტუტვის ოპტიმალური პირობები, რაც უზრუნველყოფს ოქროშემცველი ნარჩენებიდან ოქროს ამოღებას 82-90% -ით ე.წ. „რბილი“ დაჟანგვის რეჟიმის პირობებში ანოდზე მოლეკულური ქლორის გამოყოფის და გარემოს დაბინძურების გარეშე.			
18	**L. Sakvadze, R. Gigauri, N. Bichiashvili**	**Microbiological Leaching of Gold From Base Gold-Bearing Quartz Ores.**	**International Conference Innovative texnologies in metallurgy and Materials science. თბილისი, 16-18 ივლისი**
საქართველოს „მადნეული – კარციტის“ ოქროს საბადოს ღარიბი კვარტიტული (0.8 გ/ტ *Au*) მადნიდან მიკრობიოლოგიური მეთოდით სილიკატური ბაქტერიების შტამით გამოიტუტა ოქრო ხსნარის სახით. (0.658 გ/ტ). რაც შეადგენს თეორიულის 82.25%. გაფორმდა მემორანდუმი საპილოტე ცდის ჩატარების საჭიროებაზე.			
19	**Ts.Gagnidze**	Elabaration of Ecilogikally saveTechnology for obtaining high Puritymetallic Antimony and Gold from Gold-bearing antimony Ores.	International Conference “Inovative technologies inmetallurgy and material scienc”. 18 July, 2015, p. 147-148. Tbilisi Georgia.
შესწავლილია ზოფხითოს ანთიმონიანი ოქროშემცველი მადნის კომპლექსური გადამუშავება. ვაკუუმ-თერმული დამუშავების შედეგად მიღებულია მაღალი ხარისხის ანთიმონი (99.2მას%) და მადანი მთლიანად თავისუფლდება გოგირდისა და დარიშხანისაგან. მიღებული ოქროშემცველი ნარჩენი გადამუშავდა ჰიდრომეტალურგიული წესით თიოკარბამიდული და ელექტროქიმიური მეთოდების გამოყენებით. ოქროს ამოღების ხარისხმა მიღწია 82-90%-ს.			
20	**Ts.Gagnidze**	**Nontraditional methods of recovery of Gold from Antimony ores and concentrates**	**International conference “Advanced materials and technologies”, oktober 2015, p.184-187.Tbilisi, Georgia.**

შესწავლილია ზოფხითოს (ზემო რაჭა) ოქროშემცველი ანთიმონიანი მადნის ვაკუუმ-თერმული დამუშავების ნარჩენებიდან ოქროს ამოღების თიოკარბამიდული მეთოდის გამოყენების შესაძლებლობა და დადგენილია გამოტუტვის ოპტიმალური პირობები. შემოთავაზებულია ანთიმონის ოქროშემცველი მადნის ვაკუუმ-თერმული დამუშავების ნარჩენებიდან ოქროს ამოღების ალტერნატიული, ეკოლოგიურად უსაფრთხო, ელექტროქიმიური მეთოდის გამოყენება. ნარჩნების ელექტროქიმიური გამოტუტვის პროცესი შესწავლილია ქლორიდულ სისტემაში სელექტიური კომპლექსწარმომქმნელის – თიოშარდოვანას თანაობისას. დადგენილია გამოტუტვის ოპტიმალური პირობები, რაც უზრუნველყოფს ოქროშემცველი ნარჩენებიდან ოქროს ამოღებას 82-90%-ით ე.წ. "რბილი" დაჟანგვის რეჟიმის პირობებში, ანოდზე მოლეკულურ ქლორის გამოყოფის და გარემოს დაბინძურების გარეშე.

21	**Sh.S.Japaridze, I.A.Gurgenidze, T.R.Chelidze, N.M. Nizharadze**	**ADSORPTION OF PIROMELLITIC ACID AT THE MERCURY ELECTRODE FROM AQUEOUS SOLUTIONS**	**3rd INTERNATIONAL CONFERENCE on PHARMACEUTICAL SCIENCES, 27-30 May, 2015, Tbilisi**

შესწავლილი იქნა პირომელითის (1,2,4,5-ტეტრაბენზოლკარბონ მჟავა) მჟავას ელექტროქიმიური ქცევა, კერძოდ დადგენილი იქნა ორმაგ ელექტრულ შრეში მისი ადსორბციის უნარი და გათვლილი იქნა შესაბამისი პარამეტრები

22	**T. Chelidze, L. Enukidze, M.Chankashvili T.Loladze**	**ANIMAL HAIR AS BIOLOGICAL INDICATOR FOR HEAVY METAL POLLUTION IN THE TWO REGIONS OF GEORGIA**	**International conference ADVANCED MATERIALS AND TECHNOLOGIES 21-23 OCTOBER 2015 Tbilisi, Georgia**

სამუშაო ეძღვნება ცხოველის ბეწვში მძიმე ლითონების შემცველობის განსაზღვრას საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. სამუშაოში გამოკვლეულია მძიმე ლითონები - ტყვია, კადმიუმი, სპილენძი და თუთია ძროხის ბეწვში, რომელიც აღებული იქნა საქართველოს ორ რეგიონში - დასავლეთ საქართველოში სოფელ ქუტირში და აღმოსავლეთ საქართველოში სოფელ მანგლისში. კვლევები ჩატარებული იქნა დიფერენციალურ-იმპულსური პოლაროგრაფიის მეთოდით. სამუშაოში დადგენილი იქნა, რომ სოფელ ქუტირში ზემოაღნიშნული ლითონებიდან მხოლოდ თუთიის კონცენტრაციაა ნორმაზე მაღალი. ეს, თავის მხრივ, საჭიროებს ამ რეგიონში საძოვრების როგორც მწვანე საფარის, ასევე მიწისქვეშა წყლების შემდგომ კვლევებს. რაც შეეხება სოფელ მანგლისს, ოთხივე ელემენტის კონცენტრაცია არ აღემატება საერთაშორისო ნორმებს, რაც ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს ამ რეგიონის ეკოლოგიურ სისუფთავეზე, მიუხედავად იმისა, რომ ის მდებარეობს

23	**Tamara Chelidze, Liana Enukidze, Alexandre Didebulidze, Manana Chankashvili**	**Effects of Food Quality on Heavy Metals Content in Hair of Residents of Cities in Georgia**	**საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ცენტრი გამოფენა: „ინოვაციური და მეცნიერებატევადი პროდუქციის ნიმუშები" 2016 წლის 5 ივნისი, თბილისი**

მოცემული სამუშაო მიეძღვნა ზოგიერთი მძიმე მეტალის (სპილენძი, ტყვია, კადმიუმი, თუთია) შემცველობის განსაზღვრას თბილისის სხვადასხვა უბნის, ასევე საქართველოს სხვადასხვა ქალაქების (ბათუმი, ქუთაისი, ზესტაფონი და რუსთავი) მაცხოვრებელთა თმაში და შესაძლო კავშირის დადგენას მძიმე მეტალების შემცველობის ნორმიდან გადახრასა და ამ ქალაქებში გარემოს დაბინძურების დონეს შორის. კვლევების საფუძველზე დადგენილი იქნა, რომ მძიმე მეტალების ნორმიდან გადახრა დამოკიდებულია არა მარტო გარემოზე, არამედ უმეტესად საკვები პროდუქტის ხარისხსა და რაციონზე

24	**გულნარა ყიფიანი**	**ნიკელის და ნიკელ-მოლიბდენის ინდუსტრიული დანიშნულების თერმომედეგი დანაფარები**	**არაორგანული მასალათმცოდნეობის თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდები II საერთაშორისო კონფერენცია 20-24 აპრილი 2015წ. თბილისი, საქართველო**

ელექტროქიმიური მეთოდით სპილენძის და ალუმინის სარჩულებზე მიღებულია თერმომედეგი ნიკელის და ნიკელ-მოლიბდენის თერმომედეგი ინდუსტრიული დანიშნულების დანაფარები (მოლიბდენის შემადგენლობა 17-22წონ%).

შესწავლილია ელექტროლიზის პარამეტრების (დენის სიმკვრივე, ხანგრძლივობა, თანაფარდობა I_{Ni}/I_{Mo}) გავლენა მიღებული დანაფარების ხარისხზე და დენით გამოსავალზე. დადგენილია ელექტროლიზის ოპტიმალური პარამეტრები. ჩატარებულია მიღებული ნიმუშების ქიმიური და მეტალოგრაფიული ანალიზები.

ელექტრონული, სხივური და ოთხწერტილოვანი კონტაქტური მეთოდით შესწავლილია მიღებული ნიმუშების ელექტრული და მექანიკური მახასიათებლები.

შესწავლილია იუნგის მოდელის, შინაგანი ხახუნის და ხვედრითი წინაღობის ტემპერატურული დამოკიდებულება 400-1000^{O}C ინტერვალში.

25	**ნოდარ გასვიანი**	**ზოგიერთი ინტერმეტალიდის მაღალტემპერატურული ელექტროქიმიური სინთეზი**	**ინოვაციური ტექნოლოგიები მეტალურგიასა და მასალათმცოდნეობაში. საერთაშორისო კომფერენცია 16-18 ივლისი 2015წ. თბილისი**

შესწავლილია ტუტე ლითონთა ჰალოგენიდების ნალღობთა ფონზე დეპოლარიზატორების YF_3-$AlCl_3$(Na_3AlF_6); YF_3-AlF_3(Na_3AlF_6)-$Ca(VO_3)_2$; $NaMoO_4$-$CoCl_2$($NiCl_2$) ელექტროქიმიური ქცევა, სადაც გამოყენებული იქნა მჟავა დანამატები (Ca^{2+}, Mg^{2+}, PO_3^-). შედეგად მოხერხდა ლღობილში არსებული ლითონთა ელექტროაღდგენის პოტენციალთა დაახლოება სასურველ ზღვრებში. კვლევის მეთოდებად გამოყენებულია ვოლტამპერომეტრია, პოტენციოსტატიკური და გალვანოსტატიკური ელექტროლიზი, რენტგენოფაზური, მიკრორენტგენოსპექტრალური და ქიმიური ანალიზები. კვლევის შედეგად დადგენილი იქნა ელექტროლიტების შემადგენლობა და პროცესების ოპტიმალური პარამეტრები.

სინთეზირებულია ინტერმეტალიდები: YF_3, YAlV, $MoCo_3$, $MoNi_3$ წვრილდისპერსული ფხვნილების სახით.

26	თ. ჩახუნაშვილი	საქართველოს მანგანუმშემცველი საწარმოო ნარჩენების ქიმიურ–ტექნოლოგიური გადამუშავება (რუსულ ენაზე)	არაორგანული მასალათმცოდნეობის თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდები. II საერთაშორისო კონფერენცია, თბილისი, 2015წ. აპრილი

მოხსენებათა ანოტაციები

მოხსენებაში განხილულია საქართველოს სამრეწველო საწარმოთა (რუსთავის სს „აზოტის“, ჭიათურის სს „ჯორჯია მანგანეზი“) მანგანუმშემცველი ტექნოგენური ნარჩენების (გამოტუტვის შლამები, გამდიდრების კუდები) ქიმიურ–ტექნოლოგიური გადამუშავების აქტუალური საკითხები ბაზარზე მოთხოვნილების მქონე პროდუქციის მიღებით (ელექტროლიზური მანგანუმის დიოქსიდი, მანგანუმის სულფატი, ელექტროლიზური წყალბადი, აგრეთვე თაბაშირშემცველი სამშენებლო მასალა, როგორ თანაური პროდუქტი). შემოთავაზებულია მთელი რიგი ტექნოლოგიური სიახლეები, რომლებიც საშუალებას იძლევიან ამაღლდეს წარმოებული პროდუქციის ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**T. Marsagishvili, M. Machavariani, G. Tatishvili, R. Khositashvili, E. Tskhakaia, N. Ananiashvili, J. Metreveli and M. Kikabidze-Gachechiladze**	**Theoretical Investigations of Nano-sensors for Radiation Processes.**	**ICNBME-2015, September 23-26, 2015, Chisinau, Republic of Moldova, Springer.**

რადიონუკლიდებით გარემოს დაბინძურების შემთხვევაში ჩნდება რადიაციული წყაროების დადგენის პრობლემა. დაბალი კონცენტრაციების გამო მათი აღმოჩენა დაკავშირებულია სირთულეებთან. ამავე დროს, რადიაციული წყაროების ხანგრძლივი ზემოქმედება, მათი დაბალი კონცენტრაციების შემთხვევაშიც იწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს ბიოლოგიური პროცესებში. დაბალი კონცენტრაციის რადიაციული წყაროების კვლევის დროს, შეიძლება გამოვიყენოთ თანამედროვე სარეგისტრაციო ხელსაწყოების ტექნიკური შესაძლებლობები. მაგალითად, ოპტიკურ დიაპაზონში შეიძლება რეგისტრირებულ იქნას ძალიან სუსტი ლუმინესცენცია, ფაქტიურად ცალკეული ფოტონები. თხევად გარემოში *რადიონუკლიდების კონცენტრაციის გაზრდა შესაძლებელია ხელოვნური ან ბუნებრივი ასორბენტების დახმარებით. რეგისტრაციის ოპტიკური მეთოდების გამოყენება ფოტონების რეგისტრაციაზე დაფუძნებული სენსორების გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. პროცესები, რომლებიც მიმდინარეობს საკვლევ სისტემებში შიძლება დავყოთ ორ ჯგუფად. პირველი ჯგუფი - მუხტის გადატანის და ფოტოგადატანის პროცესები კონდენსირებულ გარემოში ნაწილაკებს შორის და ელექტროდსა და ნაწილაკს შორის. მეორე გგუფი - ცალკეული ნაწილაკების ელექტრონული აგზნება, ელექტრონის აგზნების ენერგიის გადატანა ნაწილაკებს შორის კონდენსირებულ გარემოში. მიღებულია ანალიზური*

გამოსახულებები სიჩქარის კონსტანტისათვის და კინეტიკური პარამეტრებისათვის მუხგის გადატანის პროცესების და ნაწილაკებს შორის ელექტრონის აგზნების ენერგიის გადატანის პროცესებისათვის. გადასვლის დიპოლური მომენტი შეიძლება გავითვალოთ, როცა ცნობილია რეაგანტების განაწილების ფუნქცია. შიძლება შევაფასოთ გადასვლის ინტერვალი, რომელიც მნიშვნელოვანია რთული სისტემების შესწავლის დროს.

2	თ. ლეჟავა	ინოვაციური სამუშაოები ენეგოეფექტურობის, ნარჩენების გადამუშავების და განახლებადი მასალების მიმართულებით	საერთაშორისო თანამშრომლობის "Green Ventures 2015" ფორუმი. ქ. ლაიფციგი, გერმანია, 27-29..01. 2015
ფორუმზე წარდგენილ იქნა ინსტიტუტში დამუშავებული ინოვაციური სამუშაოები ენეგოეფექტურობის, ნარჩენების გადამუშავების და განახლებადი მასალების მიმართულებით.			
3	Ts.Gagnidze	Electrochemikal purification of quarry waters from the ions of heavy metals.	"Shichtman International Symposium", oktober, 2015, p.127-131. Antalia, Turkey.
განხილულია ელექტროქიმიური მეთოდის გამოყენებით კარიერული წყლის მძიმე მეტალებისგან გაწმენდის საკითხები. აღწერილია ელექტროქიმიური რეაქტორის კონსტრუქცია, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ე.წ. "არხული" ელექტროლიზის ჩატარება ზღვრული კათოდური დენის სიმკვრივის (i_k) პირობებში. მოცემულია კარიერული წყლიდან სასარგებლო კომპონენტების ამოღების და კომპლექსური გადამუშავების ტექნოლოიგიური სქემები.			
4	E. Kachibaia, R. Imnadze, T. Paikidze, D. Dzanashvili, T. Machaladze.	Modified Lithium Manganese Spinels - $LiMe_xNi_{0.5-x}Mn_{1.5}O_4$ (Me=Co, Cr).	"Journees d'Electrochimic", Rome, 6-10 Juilet, 2015
შესწავლილია Co-ის და Cr-ის დოპირებით მიღებული $LiMe_xNi_{0.5-x}Mn_{1.5}O_4$-ტიპის ლითიუმ-მანგანუმიანუ შპინელის ფაზური შედგენილობა. დადგენილია ფაზაში დოპანტის იზომორფული ჩანაცვლებისთვის მისი ოპტიმალური რაოდენობა.			
5	Nodar Lekishvili, Khatuna Barbakadze, Tengiz Machaladze, Jamil Akhtar	Obtaining, Study of Thermophysical Properties and Use of Antimicrobial Hybrid Coatings	International Conference on Emerging Technologies: Micro to Nano 2015 (India, 24-25 October)
ანტიბაქტერიული კომპოზიტებისა და მასალების საწყისი კომპონენტების სტრუქტურის, ბიოაქტიურობის და თანაფარდობის მიზანმიმართული შერჩევით უმჯობესდება მათი მექანიკური, თერმული და საექსპლოატაციო მახასიათებლები			
6	Vera Varazashvili,	Thermodynamic Approach Of	International Scholarly and

	Murman Tsarakhov, Tamar Mirianashvili, Teimuraz Pavlenishvili, Tengiz Machaladze, Mzia Khundadze	**Lanthanide-Iron Double Oxides Formation**	**Scientific Research and Innovation. September 17-18, 2015, Rome, Italy**
შესწავლილია იშვიათმიწალითონების გრანატის ტიპის სტრუქტურის წარმოქმნის ენერგეტიკული მაჩვენებლები, წარმოქმნის ენთალპია, ენტროპია და გიბსის ენერგია. დადგენილია ტემპერატურის ფართო ინტერვალისათვის (300~1500 K) შედეგები. რეკომენდებულია საცნობარო გამოცემისათვის			

2015 წელს საქპატენტში ჩაბარებული განაცხადების ნუსხა

#	სათაური	შემსრულებლები	განაცხადის ნომერი	შენიშვნა
1	პოლიმერული კომპოზიციური მასალების ელექტროქიმიური მოალუმინირების ხერხი	ნ. გასვიანი გ. ყიფიანი ს. გასვიანი ლ. აბაზაძე დ. გვენცაძე ლ. გვენცაძე ნ. სხილაძე	13873/02	გაიარა წინასწარი ექსპერტიზა
2	წყლით გაცივებადი ანოდი წვრილდისპერსული ელექტროლიზური მანგანუმის მისაღებად	თ. როყვა დ. ძანაშვილი თ. ჩახუნაშვილი	13773/02	მიღებულია გადაწყვეტილება სასარგებლო მოდელის პატენტის გაცემის შესახებ
3.	ელექტროლიტი ალუმინისა და მისი შენადნობების მონიკილებისათვის	ნ. ანანიაშვილი თ. მარსაგიშვილი გ. ტატიშვილი მ. გაჩეჩილაძე ჯ. მეტრეველი	13799/02	ბრძანება სასარგებლო მოდელის პატენტის გაცემის შესახებ № 575/02
4.	ანოდი ელექტროლიზური მანგანუმის დიოქსიდის მისაღებად	თ. ჩახუნაშვილი თ. როყვა ჟ. ქებაძე ზ. ვაწაძე მ. დადუნაშვილი	13988/02	გაიარა წინასწარი ექსპერტიზა

5	ანოდი ელექტროლიზური მანგანუმის დიოქსიდის მისაღებად	თ. ჩახუნაშვილი თ. როყვა ჟ. ქებაძე ზ. ვაწაძე მ. დადუნაშვილი	13989/02	გაიარა წინასწარი ექსპერტიზა
6.	საშრობი მოწყობილობა	თ.ლეჟავა ს.ნიკოგოსიანი თ.ნატრიაშვილი ჯ.მესხი	13885/01	გაიარა წინასწარი ექსპერტიზა

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის

2015 წლის სამეცნიერო მუშაობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

საკონტაქტო ინფორმაცია: პოლიტკოვსკაიას ქ. №31
ტელ.: 233 00 75, 233 25 44; E-mail: gamkrelidzei@yahoo.com,
tsutsunava@yahoo.com

შესავალი

2015 წელს ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტში ირიცხებოდა 42 მეცნიერ-თანამშრომელი, მათგან 10 მეცნიერებათა დოტორი (მათ შორის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 2 აკადამიკოსი და 3 წევრ-კორესპოდენტი), 26 მეცნიერებათა კანდიდატი/აკადემიური დოქტორი და 2 დოქტორანტი. საანგარიშო წელს ინსტიტუტში 5 სამეცნიერო მიმართულებით მუშავდებოდა და 17 სამეცნიერო პროექტი. მათგან 2 პროექტი დასრულდა. სხვადასხვა პროექტის შესრულებასთან დაკაშირებით, გამოქვეყნდა 2 მონოგრაფია (მათ შორის 1 უცხოეთში), 49 სტატია (მათ შორის 9 უცხოეთში). გრძელდებოდა მუშაობა 2 უცხოურ და 3 შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტებზე. ინსტიტუტის თანამშრომლები 2015 წელს მონაწილეობდნენ 16 საერთაშორისო და 5 ადგილობრივ სამეცნიერო ფორუმში. გარდა ამისა, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულდა ერთი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც 2015 წელს გამოქვეყნდა 2 მონოგრაფია (მათ შორის, 1 უცხოეთში) და 2 სტატია უცხოეთში.

1.1. სამეცნიერო ერთეულის (განყოფილების) დასახელება:
ტექტონიკის, რეგიონული გეოლოგიისა და სეისმოტონიკის განყოფილება.
მიმართულება 1: **ტექტონიკური დეფორმაციები და საქართველოსა და მომიჯნავე რეგიონების გეოლოგიური და გეოდინამიკური ევოლუცია (2015-2024).**
1. 2. სამეცნიერო ერთეულის (განყოფილების) ხელმძღვანელი – **აკად. ერეკლე გამყრელიძე.**
1.3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა**:** მთ.მეცნ.-თანამშრომელი: ფ. მაისაძე, უფრ. მეცნ. თანამშრომლები: თ. გიორგობიანი, ლ. ბაშელეიშვილი; მეცნ. თანამშრომლები: გ. მაისურაძე, თ. წამალაშვილი.
არასამეცნიერო პერსონალი: ინჟინერ-გეოლოგი გ. ბოიჩენკო, ლაბორანტი: ნ. თევდორაშვილი.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებისთ 2015 წლისთვის შესრულებული და გარდამავალი სამეცმიერო-კვლევითი სამუშაოები

№	გარდამავალი პროექტის დასახელება	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1.	სხვადასხვა ასაკის, რიგის, მორფოლოგიისა და გენეზისის ტექტონიკური სტრუ-ქტურების წარმოშბის მეანიზმის კველვა (2015-2023).	ე. გამყრელიძე	ე. გამყრელიძე თ. გიორგ-ობიანი, ლ.ბაშელეიშვილი გ. მაისურაძე, თ. წამალა-შვილი
2.	დედამიწის ქერქის უახლესი (ნეოტექტო-ნიკური) და თანამედროვე მოძრაობების ხასიათი და სიჩქარე საქართველოს ტერი-ტორიაზე (2015-2017).	ე. გამყრელიძე	ე. გამყრელიძე
3.	საქართველოს ოლისტოსტრომული კომპ-ლექსები და მათი გეოლოგიური მნიშვ-ნელობა (2015-2017)	ე. გამყრელიძე	ე. გამყრელიძე ფ. მაისაძე ლ. ბაშელეიშვილი

გარდამავალი კვლევითი სამუშაოების ეტაპების ძირითადი შედეგები (ანოტაციები)

1. მრავალი თვალსაზრისით უნივერსალური თეორიის – ფილების ტექტონიკის თეორიის შექმნის მიუხედავად იმისათვის, რომ დადგინდეს ტექტონიკურ მოძრაობათა და ლითოსფეროს დეფორმაციის მიზეზები და ყველა ტიპის ტექტონიკური სტრუქტურის წარმოშობის მექანიზმი, კვლავ უნდა გაგრძელდეს გულმოდგინე კვლევა დედამიწის ქერქის სტრუქტურის ყველა დონეზე, დაწყებული უმცირესი სტრუქტურებიდან, რომელთაც მიკროსკოპში შევისწავლით, უდიდესამდე, რომლებიც მთელს კონტინენტებს და ოკეანეებს მოიცავს. ამგვარი კვლევა ახალგაზრდა ნაოჭა სარტყლების ფარგლებში, პალეოტექტონიკურ რეკონსტრუქციებთან ერთად, გულისხმობს გვიანალპური და თანამედროვე დეფორმაციის ხასიათისა და სრულიად სხვადასხვა რიგის ნაოჭა და რღვევითი სტრუქტურების, მათ შორის, მიწის ქერქის კუმშვის საუკეთესო ინდიკატორების – ტექტონიკური ზეწრების (შარიაჟების), გენეზისისა და წარმოშობის მექანიზმის კვლევას დეტალური და რეგიონული სტრუქტურული ანალიზისა და ტექტონიკური მოდელირების მეთოდების გამოყენებით. ამავე დროს, ამგვარი რეგიონების დეფორმაციის პრობლემა უშუალოდ უკავშირდება მათი სეისმურობის პრობლემის კვლევას, რასაც, ბუნებრივია, თეორიულთან ერთად, პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. ამ პროექტის შესრულებასთა დაკავშირებით 2015 წელს გამოქვეყნდა 4 სტატია და წარდგენილ იქნა ერთი მოხსენება საერთაშორისო კონფერენციაზე ქ. ბაზელში (შვეიცარია).

2. რეგიონული სტრუქტურული ანალიზის საშუალებით, კერძოდ, მსხვილმასშტაბიანი ზედაპირული რღვევებისა და პირველი რიგის ნაოჭების შესწავლის საფუძველზე, დადგინდა პირველი რიგის სუბჰორიზონტალური ტექტონიკური კუმშვის ღერძების ორიენტაცია საქართველოს ტერიტორიაზე. ამავე დროს, დეტალური სტრუქტურული ანალიზის საშუალებით, კერძოდ, მცირე ამპლიტუდიანი რღვევების, დაწვრილნაოჭების შესწავლისა და ნაპრალოვნების ანალიზის საფუძველზე დადგინდა მეორე რიგის სუბჰორიზონტალური ტექტონიკური კუმშვის ღერძების ორიენტაცია საქართველოს ტერიტორიაზე. გაანალიზდა აგრეთვე არსებული გეოდეზიური მონაცემები დედამიწის ქერქის ვერტიკალური მოძრაობის შესახებ. განმეორებითი ნიველირების და აგრეთვე ტერასების ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ კავკასიონის დასავლეთ ნაწილში აზევების სიჩქარე უდრის 2 მმ/წ; მის ღერძულ ზონაში იგი შეადგენს 10-13 მმ/წ, ხოლო აღმოსავლეთ ნაწილში კი აღწევს 15 მმ/წ. აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის ღერძული ნაწილი განიცდის აზევებას 2-3 მმ/წ სიჩქარით. დაძირვის სიჩქარეები კი არის: რიონის დეპრესიის ცენტრალურ ნაწილში 2-4 მმ/წ (ფოთის მიდამოებში 6.5 მმ/წ), ეს მონაცემები შეტანილია საქართველოს ახალ ტექტონიკურ რუკაში (1: 500 000).

3. საქართველოს ტერიტორიის გეოლოგიური ევოლუციის შესასწავლად და პალეოტექტონიკური სტრუქტურების ხასიათის დასადგენად დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა ასაკის ოლისტოსტრომული კომპლექსების კვლევას. კერძოდ, მათი შემადგენელი ნატეხოვანი მასალის ასაკისა და ხასიათის და მათი მლვებავი წყაროს დადგენას, რაც საშუალებას იძლევა ჩატარდეს პალეოგეოგრაფიული რეკონსტრუქციები, დადგინდეს ოლისტოსტრომების წარმოშობის მიზეზები და მათი წარმომშობი ტექტონიკური სტრუქტუერების ხასიათი.

საანგარიშო წელს დაიწყო საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული სხვადასხვა ასაკის ოლისტოსტრომების შესახებ მოპოვებული ქვიური მასალის დამუშავება და მათი წარმოშობის შესახებ არსებული განსხვავებული წარმოდგენების გაცნობა და კრიტიკული ანალიზი. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადრება გამახვილდა ოლისტოსტრომების მკვებავი წყაროს ადგილმდებარეობისა და მისი აგებულების დადგენაზე.

ჩატარდა საველე სამუშაოები ქ.თბილისის მიდამოებში შუაეოცენური „თბილისის ოლისტოსტრომების“ („არეულშრეებრივი კონგლომერატები“) შესასწავლად. აღებული იქნა მდიდარი

ქვიური მასალა როგორც აქამდე ცნობილ, ასევე ახალ, აქამდე უცნობ გაშიშვლებებიდან. ამ მხრივ აღსანიშნავია მირზა-შაფის ქუჩაზე არსებული შუაეოცენური გამოსავლები, სადაც თვალსაჩინოდ ჩანს დაბახანის წყების და ოლისტოსტრომების შეხება და ურთიერთგადასვლა, რაც აქამდე ცნობილი არ იყო.

ვინაიდან ოლისტოსტრომული კომპლექსები მიეკუთვნება მოვლენით ნალექებს და მათი წარმოშობა დაკავშირებულია ოროფაზისის გამოვლინებასთან, დასავლეთ აბხაზეთის ზედაეოცენური ნალექების მაგალითზე გაანალიზებულ იქნა ის გეოლოგიური პირობებიო, რომლებიც გავლენას ახდენს ნალექდაგგროვების სიჩქარეზე და მის ხასიათზე. გამოკვლეულ იქნა აგრეთვე საქართველოს ვულკანურ მთიანეთში ახალგაზრდა ეფუზივების გავრცელების არეალი. ამ პროექტის შესრულებასთან დაკავშირებით 2015 წელს გამოქვეყნდა სტატია და წარდგენილ იქმნა მოხსენება ქ.მოსკოვში რუსეთის VIII საერთაშორისო ლითოლოგიურ თათბირზე.

გრანტით დაფინანსებური სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1.კავკასიონის ტექტონიკა და პალეოტექტონიკური ევოლუცია (2014-2016)	შვეიცარიის საერთაშორისო სამეცნოერო გრანტი (SCOPES)	ე.გამყრელიძე	ე.გამყრელიძე, კ.ქოიავა
2.გეოლოგიის ინგლისურ-ქართული ტერმინოლოგი-ური ლექსიკონი (2014-2016)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	თ.წუწუნავა	თ. წუწუნავა, ე. გამყრელიძე, დ. შენგელია, გ. ჭიჭინაძე, კ. ქოიავა, ქ. თედლიაშვილი, გ. ბერიძე

ანოტაციები

1. დეტალურად იქნა შესწავლილი კავკასიონის გარდიგარდმო ჭრილი საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ. ამ პროექტის შსრულებასთან დაკავშირებით წარდგენილ იქნა მოხსენებები საერთაშიორისო სამეცნიერო კონფერენციაზე ქ.ბაზელში (შვეიცარია) (იხ.ქვემოთ) და იქვე გამოქვეყნდა 2 თეზისი.
2. მეორე პროექტის ანოტაცია იხ. პროექტ 3-ში.

II.1.პუბლიკაციები

ა) საქართველოში

სტატიები

#	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება გამოცემის ადგილი, გამომ-ცემლობა	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გვერდების რაოდენობა
1.	Gamkrelidze I., Gamkrelidze M., Loladze M.	New tectonic map of Georgia (Explanatory note), საქ. მეცნ. ეროვნ. აკად. „მოამბე“	ტ.IX, # 1,	111-116
2.	ე.გამყრელიძე,	გეოლოგიური მეცნიერების 90-წლიანი გზა	ახ.სერია,	3-22

	მ.თოფჩიშვილი	ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტში, თსუ-ს ა.ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის შრომები	ნაკვ. 127	
3.	ე.გამყრელიძე, მ.გამყრელიძე, მ.ლპლაძე	საქართველოს ახალი ტექტონიკური რუკა (განმარტებითი ბარათი), თსუ-ს ა.ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის შრომები	ახ.სერია, ნაკვ. 127	98-104
4.	Т.В.Гиоргобиани, Д.П.Закарая	Механизм и геодинамика формирования складчатой структуры Дагестанского клина. თსუ-ს ა.ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის შრომები	ახ.სერია, ნაკვ. 127	112-116
5.	L.Basheleishvili, M.Kumelashvili, S.Kuloshvili	Genesis of the seismodislocation in the epicenter area of the Racha earthquake, „საქართველოს ნავთობი და გაზი“	# 30,	45-53
6.	Ф.Д. Маисадзе	Влияние геологических условий на скорость осадконакопления. თსუ-ს ა.ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის შრომები	ახ.სერია, ნაკვ. 127	104-112
7.	გ.მაისურაძე, გ.ბერიძე	ახალქალაქის წყება - ეოპლეისტოცენური კონტინენტური ნალექების სტრატოტიპი საქართველოში. თსუ-ს ა.ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის შრომები	ახ.სერია, ნაკვ. 127	55-63
8.	Алешинская З.В., Маисурадзе Г.М.	Диатомовое сообщество в озерных отложениях ахалкалакской свиты. თსუ-ს ა.ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის შრომები	ახ.სერია, ნაკვ. 127	

ანოტაციები

1.საქართველოს ახალი ტექტონიკური რუკის განმარტებით ბარათში განხილულია მისი ძირითადი შინაარსი. რუკა კომპლექსური ხასიათისაა და მოიცავს მონაცემთა ფართო სპექტრს საქართველოს ტერიტორიის დედამიწის ქერქის აგებულებისა და განვითარების შესახებ, მისი ამგები ქანების შედგენილობის, განლაგების ხასიათისა და გეოდინამიკური ბუნების შესახებ. კერძოდ, რუკაზე ფგამოსახულია სხვადასხვა ხასიათის ტექტონიკური სტრუქტურები, მათი კინემატიკური ბუნება და განვითარების ისტორია. გარდა ამისა, სხვადასხვა გეოლოგიური ჰორიზონტების სტარტოიზოჰიფსების საშუალებით და გეოფიზიკური მონაცემების საფუძველზე მოცემულია დედამიწის ქერქის სიღრმული აგებულება. ნაჩვენებნის აგრეთვე ტექტონიკურ ძაბვათა ველი და დედამიწის ქერქის ჰორიზონტალუყრი მოძრაობის ხასიათი (მიმართულება და სიჩქარე). სპეციალურ ჩანართზე ნაჩვენებია აგრეთვე კავკასიის გეოდინამუკური პირობები მეზოზოურ და ადრეკაინოზოურ დროში.

2. სტატიაში განხილულია გეოლოგიური მეცნიერების 90-წლიანი გზა ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტში და ნაჩვენებია მეცნიერული შედეგები გეოლოგიის თითქმის ყველა მიმართულებით.

3. იხ. 1 შრომის ანოტაცია.

4. კავკასიონის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში განლაგებული რკალისებური ფორმის დაღესტნის სოლის დეტალური გეოლოგიურ-სტრუქტურული ანალიზის შედეგად ახლებურად არის განხილული მისი ფორმირების მექანიზმი და გეოდინამიკა. დადგენილია, რომ ამ სოლის თანამედროვე სტრუქტურის წარმოშობის მიზეზი იყო აღმოსავლეთ კავკასიონის ქვეშ

ამიერკავკასიის მიკროფილაქნის ქვეცოცება და მისი ჩრდილოური გადაადგილება. ეს პროცესი მისი შემომსა-ზღვრელი ჩრდილო-აღმოსავლური და ჩრდილო-დასავლური მიმართებების მქონე რღვევებს შორის მის გათრევას იწვევდა, რაც ადრეული დანაოჭების ჯვარედინ დეფორმაციას და რკალურ მორფოლოგიას განაპირობებდა.

5. სეისმოდისლოკაციური მოვლენების ანალიზისას დგინდება მეორე რიგის დილოკაციების წამყვანი როლი არამდგრად, ციცაბოდ დახრილ ფერდობებზე (ქვაზვავები, მეწყერები, სელური ნაკადები). ასევე აღინიშნება სხვადასხვა სახის ნაპრალები და კომბინირებული რღვევები (შესხლეტა -ნაწევები, ნასხლეტ- ნაწევები) მათი უმრავლესობა დასავლურ და ჩრდილო-დასავლური მიმართებებით ხასიათდებიან.

6. სტატიაში განხილულია გეოლოგიური პირობები, რომლებიც გარკვეულ გავლენას ახდენს ნალექდაგროვების სიჩქარეზე და მის ხასიათზე. ამ მხრივ ყურადღება გამახვილებულია ოროფაზისებზე, კერძოდ, პირენეულ დანაოჭებაზე. კვლევის ობიექტად შერჩეული იქნა დასავლეთ აფხაზეთის ზედაეოცენური ნალექები, რომლებიც გეოლოგიურად კარგადაა შესწავლილი და სრული ჭრილებითაა წარმოდგენილი. აქ ნათლადაა გამოხატული პალეოგეოგრაფიული და სედიმენტაციური ცვლილებები, რომლებიც თან ახლდა პირენეულ ოროფაზისს. კავკასიონის სამხრეთი ფერდობის ფარგლებში ზედაეოცენური ნალექების მაგალითზე პირველად იქნა დადგენილი ნალექდაგროვების სიჩქარეები ცალკეული ფაციესური ზონითვის. დიაგენეზის და შემდგომი პროცესების გათვალისწინებით გამოთვლილ იქნა ცალკეული წყებების პირველადი სიმძლავრეები და მათი დაგროვების ხანგრძლივობა. მიღებული შედეგები ნალექდაგროვების სიჩქარეების შესახებ, სრულად შეესაბამება იმ მონაცემებს, რომლებიც არსებობს მოსაზღვრე რეგიონების თანამედროვე და გეოლოგიური წარსულის აუზებისთვის.

7. სამხრეთ საქართველოს ვულკანურ მთიანეთში ახალგაზრდა ეფუზივების ასაკისა და გავრცელების არეალის დადგენის მიზნით გამოყენებულ იქნა კვლევის პალეომაგნიტური, პალეონტოლოგიური, გეომორფოლოგიური, სტრატიგრაფიული და რადიოლოგიური მეთოდები. დადგენილ იქნა ადრე დაუზუსტებელი (სავარაუდოდ ზედა პლიოცენური-შუა მეოთხეული) ასაკის მქონე ესე წოდებული ახალქალაქის წყების სტრატიგრაფიული საზღვრები, მასში შემავალი ნალექების ლითოფაციალური თანამიმდევრობა, მათი კონტაქტის ფიქსაცია საგებ და სახურავ ფორმაციებთან. მაგნიტოსტრატიგრაფიულმა გამოკვლევებმა დაგვანახვესს რომ ახალქალაქის ქვედა საზღვარი ემთხვევა გაუს-მატუიამას ინვერსიულ ზონას (2,6 მლნ წ.) , ხოლო ზედა საზღვარი – მატუიამა-ბრიუნესის გარდამავალ ეპოქას (0,8 მლნ.წ.). სტრატიგრაფიულად იგი მოიცავს შუა აღჩაგილურ სართულს (ზედა პლიოცენი) – ეოპლეისტოცენურს მთლიანად (აფშერონულს – კასპიის ზღვის სტრატიგრაფიული სქემის მიხედვით).

ახალქალაქის წყების ნალექების გეოლოგიური ჭრილი სამხრეთ საქართველოში (ახალქალაქი, დილისკა, დმანისი, ბედენი) არის ყველაზე სრულყოფილი, იმფორმატიული და ფაქტიური მასალით მდიდარი. ამდენად მიგვაჩნია, რომ ახალქალაქის წყების ნალექების გეოლოგიური ჭრილი სამხრეთ საქართველოში შესაძლებელია ჩავთვალოდ სრატოტიპურ (სახელმძღვანელო) ჭრილად სომხეთის და აღმოსავლეთ ანატოლიის ვულკანური რეგიონებისათვის.

8. სოფ. დილისკასთან ახალქალაქის წყების ნალექთა გეოლოგიურ ჭრილში, ე.წ. "ქვედა" და "ზედა" დოლერიტებს შორის არსებულ ტბიურ ნალექებში გამოვლენილ და შესწავლილ იქნა დიატომიტიანი შრე (კაჟმიწის წყალმცენარეები). დილისკის ჭრილი შესწავლილ იქნა კომპლექსურად რადიოლოგიური, პალეომაგნიტური, პალეონტოლოგიური, პალინოლოგიური, მორფოსტრატიგრაფიული მეთოდებით (მაისურაძე, 1984; ლ. ვეკუა და სხ.., 1982, ჯიღაური, 1991; ფერინგი და სხ. 1996).

მთლიანობაში აღმოჩნდა, რომ დილისკის დიატომური ფლორა მეტად ახლოს დგას ნურნუსის (სომხეთი) და ქისათიბის დიატომიტებთან (მიო-პლიოცენი) რაც პრობლემებსა ქმნის მათ ასაკობრივ იდენტურობასთან. ამ საკითხის გადაწყვეტა მეტად რთულია, რამდენადაც

დიატომიტებს გააჩნიათ დიდი ასაკობრივი დიაპაზონი დროსა და სივრცეში. ამიტომ ვფიქრობთ, რომ დიატომიტებს გეოლოგიაში არ გააჩნიათ სტრატიგრაფიული მნიშვნელობა. ისინი გამოდგებიან მხოლოდ რეგიონული გეოლოგიის და პალეოგეოგრაფიის საკითხების გადასაჭრელად.

II. 2. პუბლიკაციები

ბ)უცხოეთში

სტატიები:

#	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება გამოცემის ადგილი, გამომც-ემლობა	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გვერდების რაოდენობა
1.	Т.В.Гиоргобиани	Этапы альпийского складкообразования Большого Кавказа и их связь с геодинамикой Африкано-Аравийского континента. Материалы XLVII Тектонического совещания, Москва, 2015	Том 1	93-97
2.	Т.В.Гиоргобиани	Геодинамика и механизм образования альпийской складчатой структуры Большого Кавказа. Материалы научного совещания, Иркутск, 2015	Вып. 13	53-55

ანოტაციები

1. კავკასიონის ნაოჭა სტრუქტურის დეტალური კვლევების შედეგად მის ტერიტორიაზე დადგენილია დანაოჭების ორი მთავარი ეტაპი. პირველი მოიცავს იურულ - შუა მიოცენურ პერიოდს, რომლის დროსაც შავი ზღვა - ამიერკავკასიის მიკროკონტინენტის კავკასიონზე ჩრდილო-აღმოსავლეთი მიმართულებით მიწოლის შედეგად წარმოიშვა რეგიონის ძირითადი ხაზობრივი ნაოჭა სტრუქტურა. მეორე ეტაპზე, რომელიც მიმდინარეობდა გვიან მიოცენურ- ანტროპოგენურ დროში, მიკროკონტინენტის ცალკეული ბლოკების (შოლების და ნანოფილების) კავკასიონზე სუბმერიდიანული მიწოლის და ქვეცოცების შედეგად პირველად ხაზობრივ სტრუქტურებში მოხდა ინტერფერენციული დანაოჭებისა და ტექტონიკური ზეწრების ფორმირება. კავკასიონზე კარგად არის გამოხატული აფრიკა-არაბეთის კონტინენტის ალპური გეოდინამიკის კორელაციური კავშირი დანაოჭების პროცესების ეტაპებთან.
2. კავკასიონის ნაოჭა სისტემის ფარგლებში ჩატარებული მრავალწლიანი კვლევების შედეგად მიღებული ახალი ფაქტობრივი მასალების ანალიზის საფუძველზე დადგენილია რეგიონში ალპური დანაოჭების მექანიზმები და გეოდინამიკა. მოცემულია კავკასიონის ტექტოგენეზის ორეტაპიანი (მრავალფაზიანი) მობილისტური მოდელი, რომელიც რეგიონში დანაოჭების ფორმირებას და გეოდინამიკას ერთიანი პოზიციებიდან ხსნის, რაც აქ მიმდინარე მექანიკური პროცესების ურთიერთკავშირზე მიუთითებს.

III. 1. სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა
ბ) უცხოეთში

#	მომხსენებელი/მომხსენე ბლები	მოხსენებით სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.	Gamkrelidze I., Koiava K, Mozar J.	Geological structure of Georgia and geodynamics of the Caucasus	21-22 ნოემბერი, 2015, ქ.ბაზელი (შვეიცარია)

2.	Gamkrelidze I., Koiava K., Mozar J. and Mouvilly J.	Tectonics in the Greater Caucasus: a N-S section along the Georgian Military Road - Georgia	21-22 ნოემბერი, 2015, ქ.ბაზელი (შვეიცარია)
3.	Ф.Д.Маисадзе	О скорости осадконакопления	27-30 ნოემბერი, მოსკოვი, რუსეთის VIII ლითოლოგიური თათბირი
4.	Т.В.Гиоргобиани	Этапы альпийского складкообразования Большого Кавказа и их связь с геодинамикой Африкано-Аравийского континента	XLVII ტექტონიკური თათბირი, ქ.მოსკოვი
5.	Т.В.Гиоргобиани	Геодинамика и механизм образования альпийской складчатой структуры Большого Кавказа.	სამეცნიერო თათბირი, ქ.ირკუტსკი

მოხსენებათა ანოტაციები

1.მოხსენებაში განხილული იყო საქართველოს გეოლოგიური აგებულება, კერძოდ, აქ განვითარებული ნალექების სტრატიგრაფია, კამბრიულისწინა და პალეოზოური ასაკის ქანები და სხვადასხვა ხასიათის ინტრუზივები; საქართველოს ტერიტორიის ტექტონიკური აგებულება ცალკეული ტექტონიკური ზონების მიხედვით. განხილული იყო აგრეთვე კავკასიის კამბრიულისწინა და ფანეროზოული გეოდინამიკური ევოლუცია.

2. მოხსენებაში დახასიათებული იყო კავკასიის გადამკვეთი N-S მიმართულების გეოლოგიური ჭრილი და მისი დეტალური სტრუქრტურული შესწავლის შედეგები.

3. მოხსენებაში მყვანილი იყო ახალი მონაცემები ნალექდაგროვების სიჩქარეების შესახებ, რომლებიც მიღებული იყო დასავლეთ აბხაზეთის ზედაეოცენური ნალექევბის შესწავლის შედეგად.

4. მოხსენებაში განხილული იყო კავკასიონის ალპური დანაოჭების ორი მთავარი ეტაპი: იურულ-შუამიოცენური და გვიანმიოცენურ-ანთროპოგენური, როდესაც მოხდა არსებული ხაზობრივი ნაოჭა სტრუქტურების განმეორებითი დეფორმაცია, ინტერფერენციული ნაოჭების და ტექტონიკური ზეწრების წარმოშობა.

5. მოხსენებაში განხილული იყო კავკასიონის ალპური დანაოჭების მექანიზმები და გეოდინამიკა. მოცემული იყო კავკასიონის ტექტოგენეზისის მრავალფაზიანი მობილისტური მოდელი, რომელიც დანაოჭების ფორმირებას და გეოდინამიკას ერთიანი პოზიციებიდან ხსნის.

2.1. სამეცნიეროერო ერთეული სდასახელება: **სტრატიგრაფიისა და პალეონტოლოგიის განყოფილება**

მიმართულება 2: **საქართველოს მეზოზოური და კაინოზოური ნალექების სტრატიგრაფია (2015-2024).**

2.2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი–**საქ. მეცნ. ეროვნულიაკად. წევრ-კორესპონდენტი მ. კაკაბაძე**

2.3. სამეცნიერო ერთეულის (განყოფილების) პერსონალური შემადგენლობა – მთ. მეცნ.-თანამშრ. მ. თოფჩიშვილი; უფ. მეცნ. თანამშრ.-ები: ც. მინაშვილი, თ. ღავთაძე, ლ. ფოფხაძე, კ. ქოიავა; მეცნ. თანამშრ.-ები: ს. ხუციშვილი და ზ. ჩხაიძე; მეცნ. დოქტორი ლ. ცირეკიძე (სამეცნიერო კონსულტანტი) დამეცნ. კანდ./აკად. დოქტორი გ. ანანიაშვილი (სამეცნიერო კონსულტანტი).
არასამეცნიერო პერსონალი: ინჟინერ-გეოლოგი თ. პაიჭაძე, ლაბორანტები: მ. გასვიანი, გ. ლანჩავა და ი. სხირტლაძე.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისთვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	„აღმოსავლეთ პარატეთისის ნავთობის შემცველი მაიკოპური სერიის სტრატიგრაფიული მოცულობა და მისი დანაწილების საკითხი“ (2012-1015)	გ. ანანიაშვილი	გ. ანანიაშვილი, ც. მინაშვილი, ს. ხუციშვილი
2	„მდ. ალაზნის შუაწელის გვიანცარცული და პალეოგენური ფლიშური ნალექების ბიოსტრატიგრაფიული კვლევა ნანოპლანქტონის მიხედვით“. (2013-2015)	თ. ღავთაძე	თ. ღავთაძე, ზ. ჩხაიძე

დასრულებული კვლევითი პროექტების ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები

1. მაიკოპური სერიის პრაქტიკულად მუნჯი ქანების ნანოპლანქტონური შესწავლის თვალსაზრისით მეტად საინტერესო აღმოჩნდა დასავლეთის დაძირვის ზონის ოდიშის ბლოკის გაშიშვლებები. სოფ. ჯგალის ჭრილში განისაზღვრა მდიდარი ნანოკომპლექსი NP21 ზონის ინდექს-სახით - Coccolithus subdistichus-ით, რაც შემცველ ქანებს ქვედა ოლიგოცენურად ათარიღებს. მოხერხდა აგრეთვე ამიერკავკასიის შუა ოლიგოცენურისთვის (პოლბინსკის ჰორიზონტი) დამახასიათებელი ინდექს-სახეობის Zygodiscus vialovi-ს განსაზღვრა, რომელიც სტანდარტული სკალის NP23 ზონასთან არის შეპირისპირებული და რუპელურ სართულს პასუხობს. გამოიყო აგრეთვე ზედა ოლიგოცენურის (ქატური სართული) დამახასიათებელი ნანოკომპლექსი, რომელიც დაუნაწილებელ NP24- NP25 ზონებს შეესატყვისება. მაიკოპის უფრო ახალგარდა, მიოცენური ნალექების ნანოპლანქტონური დასაბუთება შესაძლებელი გახდა აღმოსავლეთ საქართველოს ქართლის მოლასურ ქვეზონში, ვაყას ანტიკლინის ჩრდილო ფრთაში (ხაშურის რ-ნი, სოფ. ნაბახტევი, მდ. ჭერატხევის ხეობა), სადაც გამოიყო ზედაოლიგოცენურ-ქვედამიოცენურის (NP25-NN1) და უშუალოდ უფლისციხის (=აქვიტანურს) NN1 Triquetrochabdulus carinatus -ის შესატყვისი ქანები. ამავე ჭრილში მოლუსკებისა და მიკროფაუნის საშუალებით დადასტურდა საყარაულოს სართულის არსებობა. ამრიგად, აღნიშნული მონაცემების საფუძველზე კიდევ ერთხელ იქნა დასაბუთებული, რომ აღმოსავლეთ პარატეთისში

მაიკოპური სერიის ქანები უწყვეტი ნალექდაგროვების პირობებში წარმოიშვა. ამ პროექტის შესრულებასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა 1 სტატია.

2. 2013 – 2015 წლებში პირველად მდ. ალაზნის შუა წელის აუზისთვის განხორციელდა გვიანცარცული და პალეოგენური ფლიშური ნალექების ბიოსტრატიგრაფიული კვლევა ნანოპლანქტონის მიხედვით. შესწავლილ იქნა ჭრილები: მდინარეების - ალაზნის, ილტოს, დიკლანთხევის, თურდოს, ორვილას და მღვრიეს ხეობებში; სოფლების - მატანას, ხაიშის, გომბორის, სიონის, კოპაძეების და ხადორჰესის მიდამოებში. აღებულ იქნა 600-ზე მეტი ნიმუში. ქვიური მასალის პალეონტოლოგიურმა კვლევამ გამოავლინა მათში დაცული ნანოფოსილიების ტაქსონომიური მრავალფეროვნება და დამახასიათებელი ასოციაციების კანონზომიერი ცვლა დროში, რამაც შესაძლებელი გახადა რეგიონში წარმოდგენილი გვიან ცარცული და პალეოგენური ლითოსტრატიგრაფიული ერთეულების სტანდარტულ ზონებად დანაწევრება ნანოპლანქტონის მიხედვით. ხოლო ნალექების დეტალურ სტრატიგრაფიულ ერთეულებად დანაწილებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არამარტო რეგიონთაშორისო და შორეული კორელაციისათვის, არამედ ნავთობისა და გაზის საბადოების ძებნა-ძიების მეცნიერულ საფუძველზე წარმართვისათვის.შესწავლილი ჭრილების ფარგლებში დადგინდა 17 გვიანცარცული და ოცი პალეოგენური ნანოპლანქტონური ზონა. გვიანცარცულთა რიცხვს მიეკუთვნებიან: სენომანური *Eiffellithus turriseiffelii* (CC9) - უკუღმართის წყება და *Microrhabdulus decoratus*(CC10) - ანანურის წყება; ზედატურონული *Lucianorhabdus maleformis*(CC12) და ქვედაკონიაკური *Marthasterites furcatus* (CC13) - მარგალიტისკლდის წყება; ზედაკონიაკური *Micula decussata* (CC14) – ქვედაკამპანური*Calculites ovalis* (CC19) - ეშმაკისხევის წყება; შუაკამპანური *Ceratolithoides aculeus* (CC20) – ქვედამაასტრიხტული*Arkhangelskiella cymbiformis* (CC25a) - ჯორჩის წყება; მაასტრიხტული *Lithraphidites quadratus* (25b) და *Micula murus* (CC25c) - საბუეს წყება. პალეოგენური ზონებია: დანიური *Biantholithus sparsus* (NP1) – *Cyclococcolithus robustus* (NP4) - კვეტერას წყება; ზელანდიური *Fasciculithus tympaniformis* (NP5) – *Discoaster multiradiatus* (NP9) - შახვეტილის წყება; ქვედაეოცენური *Discoaster diastypus* (NP10) – შუაეოცენური *Discoaster bifax* (NP16) - ქვაკევრის წყება; ზედაეოცენური დაუნაწევრებელი Isthmolithus recurvus(NP19) + Sphenolithus pseudoradians (NP20) - ილდოყანის წყება. ამ პროექტის შესრულებასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა 1 სტატია და 1 თეზისი.

გარდამავალი სამეცნიერო კვლევითი პროექტები

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1.	საქართველოს ქვედა- და შუაიურული ნალექების სტარტიგრაფია (2015-2024).	მ. თოფჩიშვილი	მ. თოფჩიშვილი
2.	საქართველოს ქვედაცარცული ნალექების სტრატიგრაფია(2015-2024).	მ. კაკაბაძე	მ. კაკაბაძე
3.	კავკასიონის და მცირე კავკასიონის აღმოსავლეთი ნაწილის ზედაცარცული და პალეოგენური ნალექების ბიოსტრატიგრაფია, პალეოეკოლოგია და პალეოგეოგრაფია ნანოპლანქტონის მიხედვით(2015-2024).	თ. ღავთაძე	თ. ღავთაძე, ზ. ჩხაიძე
4.	საქართველოს მიოცენური ნალექების ბიოსტრატიგრაფია(2015-2024).	კ. ქოიავა	კ. ქოიავა, ც. მინაშვილი, გ. ანანიაშვილი, ლ. ფოფხაძე, ს. ხუციშვილი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპების ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები

1. კვლევითი პროექტის პირველი ეტაპზე დამუშავებულია ძირითადი გამოქვეყნებული ლიტერატურა, ფონდური მასალები და მიმდინარეობს კოლექციებში არსებული ადრეიურული ამონიტური ფაუნის სისტემატიკური რევიზია.
2. პროექტის ამ ეტაპზე დამუშავებულია საქართველოს ქვედაცარცული ნალექების ბიოსტრატიგრაფიისა და პალეონტოლოგიის შესახებ არსებული ლიტერატურა. ჩატარდა საველე სამუშაოები რაჭაში და ლეჩხუმში. შედგენილია დეტალური ჭრილები სს. ხიმშის, კვაცხუთის, ალპანის და ტვიშის მიდამოებში. მიმდინარეობს მოპოვებული ამონიტური და თანმხლები ფაუნის დამუშავება.
3. პროექტის პირველ ეტაპზე დამუშავებულია კავკასიონის აღმოსავლეთი ნაწილის ზედაცარცული და პალეოგენური ნალექების ბიოსტრატიგრაფიისა და პალეოგეოგრაფიის შესახებ არსებული გამოქვეყნებული და საფონდო ლიტერატურა. მიმდინარე წელს კახეთის ტერიტორიაზე ჩატარებულია საველე სამუშაოები. მიმდინარეობს მოპოვებული მასალის ლაბორატორიული დამუშავება და ნანოფოსილიების განსაზღვრა.
4. პროექტის კვლევის პირველ ეტაპზე დამუშავებულია საქართველოსა და მიმდებარე ტერიტორიების (ჩრდილო კავკასია, უკრაინა, აზერბაიჯანი) მიოცენური ნალექების შესახებ არსებული ლიტერატურა. მიმდინარე წელს ჩატარებულია საველე სამუშაოები აღმოსავლეთ საქართველოში და შედგენილია მიოცენურის დეტალური სტრატიგრაფიული ჭრილები (მდ. ნორიოს წყალი, მდ. ლოჭინის ხეობა, ფაშატრის ხევი). ჩატარდა მოპოვებული ნიმუშების ლაბორატორიული დამუშავება. ამჟამად მიმდინარეობს ნიმუშებიდან ფაუნის ამოკრეფა-განსაზღვრა. შესწავლილია აღმოსავლეთ საქართველოს სარმატული ფორამინიფერების კომპლექსები, რაც საშუალებას იძლევა ამ რეგიონის სარმატულის ლითო- და ბიოსტრატიგრაფიული სქემის დახვეწას. ჭრილებში ლითოსტრატიგრაფიული შედგენილობის მიხედვით გამოიყო ნალექდაგროვების განსხვავებული ტიპები დროსა და სივრცეში. ნალექდაგროვების ცალკეული ტიპებისთვის განისაზღვრა ფორმინიფერების კომპლექსების ტაქსონომიური შემადენლობა. ნალექდაგროვების ტიპებთან კავშირის დადგენის თვალსაზრისით ფორამინიფერების ცალკეულ კომპლექსებში შესწავლილ იქნა ნიჟარების მორფოლოგიური თავისებურებანი. აღნიშნული კვლევები მომავალში საშუალებას მოგვცემს რეგიონში აღვადგინოთ სარმატულის პალეოგეოგრაფიული პირობების ძირითადი პარამეტრები.

I.3. საქართველოს სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	აღმოსავლეთ საქარვე-ლოს ღრმად დაძირული მეზო-კაინოზოური ნა-ლექების ნავთობგაზიანობის პერსპექტიულობის შეფასება (2013-2016.)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ა. სულაძე	მ.თოფჩიშვილი, გ.ნადარეიშვილი

2	გეოლოგიის ინგლისურ-ქართული ტერმინოლოგიური ლექსიკონი (2014-2016)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	თ. წუწუნავა	თ. წუწუნავა, ე. გამყრელიძე, დ. შენგელია, გ. ჭიჭინაძე, კ. ქოიავა, ქ. თედლიაშვილი, გ. ბერიძე
3	„ოქრო-სპილენძპორფირულიგამადნებისდაოქროსეპიგენურიუსულფიდომინერალიზაციისგენეზისიბოლნისისმადნიან რაიონშივულკანიზმთანკავშირში, ტეთისისაქტიურიკიდისგვიანსუბდუქციურიგანვითარებისფონზე“.	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ვ. გუგუშვილი	ვ. გუგუშვილი, ს. ხუციშვილი და სხვ.

ანოტაციები

1. აღმოსავლეთ საქართველოს ღრმად დაძირული მეზო-კაინოზოური ნალექების ნავთობგაზიანობის პერსპექტივების შესაფასებლად ჩატარებულია კვლევები მთათაშუა არის აღმოსავლეთი დაძირვის მოლასური ზონის ფარგლებში (მტკვრის მთათაშუა როფი), რომელიც თითქმის მთლიანად ოლიგოცენურ-ნეოგენური ასაკის ზღვიური და კონტინენტური მოლასებით არის აგებული და დიდი კავკასიონის და აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ნაგებობების დენუდაციის პროდუქტს წარმოადგენს. ზონის ჩრდილოეთით, მოლასებისქვეშ, დადგენილია ცარცული და ზედაიურული ქანების არსებობა, რომლებიც კრისტალურ სუბსტრატზე განლაგებული ბაიოსის პორფირიტული სერიის ვულკანოგენებს მოჰყვება. ზონის სამხრეთით კი მცირე სიმძლავრის ცარცული და ზოგიერთ ადგილას პალეოგენური ნალექები გვხვდება. სტრატიგრაფიული კვლევების შედეგად დეტალურად არის აღწერილი სტრატიგრაფიული ჭრილები და აგებულია სტრატიგრაფიული სვეტები.

შენიშვნა: 2 და 3 გრანტების ანოტაციები იხ. პროექტის მიმართულება 1-ში და 3-ში.

II. 1. პუბლიკაციები:
ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	მ. თოფჩიშვილი, თ. ლომინაძე, გ. ნადარეიშვილი	კოლხეთის დეპრესი-ის მეზო-კაინოზოური ნალექების სტრატიგრაფია	ქ. თბილისი, 2015 „პოლიგრაფისტი“	316

ანოტაცია

კოლხეთის დეპრესიაში დადგენილია ნავთობისა და გაზის სხვადასხვა მასშტაბის

გამოვლინებები, როგორც ჭაბურღილებში, ასევე მიწის ზედაპირზე, მაგრამ სამრეწველო მნიშვნელობის დაგროვებები დღემდე ცნობილი არ არის. ამავე დროს, ამ ტერიტორიაზე და მიმდებარე შავი ზღვის შელფზე არსებული მეზო-კაინოზოური ასაკის მძლავრი დანალექი საფარი და მრავალი დახურული ტექტონიკური ტრუქტურა საშუალებას იძლევა კოლხეთის ტერიტორია ნავთობისა და გაზის ძიების პერსპეტიულ რეგიონად მივიჩნიოთ. ნაშრომში განზოგადოებულია კოლხეთის დეპრსიის და მისი მომიჯნავე ტერიტორიების მეზო-კაინოზოური ნალექების სტრატიგრაფიის საკითხები. მოცემულია მსხვილი სტრატონების გეოლოგიური ჭრილების აღწერა, ბიოსტრატიგრაფიული დანაწილება და კორელაცია. გამოყენებულია ბურღვის მონაცემები. დადგენილია შრეების პირველადი თანამიმდევრობა და ასაკობრივი თანაფარდობა, აგრეთვე გამოყოფილია საერთო სტრატიგრაფიული და ადგილობრივი ქვედანაყოფები. დანალექი და ვულკანოგენურ-დანალექი ქანებით აგებულ ჭრილებში დამახასიათებელი ფაუნისტური კომპლექსების საფუძველზე შემუშავებულია მეზო-კაინოზოური ნალექების დეტალური ბიოსტრატიგრაფიული სქემები, რომლებიც „მიებნენ“ საერთაშორისო სტანდარტულ სკალას. გამოყოფილია სართულები, ქვესართულები, ხოლო რიგ შემთხვევაში ბიოზონები და ადგილობრივი სტრატიგრაფიული ერთეულები - წყებები; დაზუსტებულია ზოგიერთი ლითო- და ბიოსტრატიგრაფიული ერთეულის საზღვრები და მოცულობა.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ე. გამყრელიძე, მ. თოფჩიშვილი	„გეოლოგიური მეცნიერების 90-წლიანი გზა ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიურ ინსტიტუტში“. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ა.ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის შრომებ	ახალი სერია, ნაკვ. 127	თბილისი, 2015	3-22
2	M.V. Kakabadze	„Towards the morphological classification of the heteromorph ammonites)“. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ა.ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის შრომები	ახალი სერია, ნაკვ. 127	თბილისი, 2015	23-28
3	Л. Р. Цирекидзе	„Распространение ургонской микрофауны грузии в осадках низкой и высокой энергии платформенных карбонатов и ее связь с батиметрическими уровнями моря“. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ა.ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის შრომები	ახალი სერია, ნაკვ. 127	თბილისი, 2015	29-39

4	Т.А. Пайчадзе	„Об одном из опорных разрезов юры Северного Кавказа.“ ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ა.ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის შრომები	ახალი სერია, ნაკვ. 127	თბილისი, 2015	92-97
5	Т.Т. Гавтадзе	“Влияние внешней среды на развитие нанопланктона в палеоцен-эоценовом морском бассейне Грузии”. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ა.ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის შრომები	ახალი სერია, ნაკვ. 127	თბილისი, 2015	73-87
6	თ. ღავთაძე, ხ. მიქაძე, ზ. ჩხაიძე	„საქართველოს სამხედრო გზის ზედაცარცულის ქრონოსტრატიგრაფია ნანოპლანქტონისა და მიკროფორამინიფერების მიხედვით“. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ა.ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის შრომები	ახალი სერია, ნაკვ. 127	თბილისი, 2015	63-73
7	ც. მინაშვილი. გ. ანანიაშვილი, ს. ხუციშვილი	“აღმოსავლეთ პარატეთისის შუამიოცენური ნალექების ბიოსტრატიგრაფიისათვის.” ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ა.ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის შრომები	ახალი სერია, ნაკვ. 127	თბილისი, 2015	39-49
8	ლ. ფოფხაძე	„ფორამინიფერების და ოსტრაკოდების კომპლექსების ცვალებადობა გვიან მიოცენურიდან დღემდე დასავლეთ საქართველოში“. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ა.ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის შრომები	ახალი სერია, ნაკვ. 127	თბილისი, 2015	87-92

ანოტაციები

1. ანოტაცია იხ. პროექტის მიმართულება 1-ში.

2. ამონიტების პალეოეკოლოგიისა და ფილოგენიის რიგი საკითხების კვლევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათ მორფოლოგიურ კლასიფიკაციას. ფილოგენიური მონაცემები კი, თავის მხრივ, ბიოსტრატიგრაფიულ დანაწილებაში ხშირად გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. საყურადღებოა, რომ ადრეული მკვლევარებისგან განსხვავებით ავტორის მიერ ამონიტების ჰეტერომორფულ ტიპში ქვეტიპების გამოყოფას საფუძვლად დაედო ნიჟარის მორფოლოგიური ნიშნების ცვალებადობანი ონტოგენიური განვითარების ადრეულ სტადიაზე, ხოლო მორფოლოგიური ჯგუფები გამოყოფილია ონტოგენიის გვიანდელ სტადიაზე წარმოქმნილი ნიშნების თავისებურებების მიხდვით. ახალი დამატებითი მასალის შესწავლის საფუძველზე მოხდენილია ჰეტერომორფული ამონიტების არსებული მორფოლოგიური კლასიფიკაციური სქემის რევიზია; ჰეტერომორფებში გამოყოფილია 4 მორფოლოგიური ქვეტიპი და 44 მორფოლოგიური ჯგუფი, რომელთაგან 13 ჯგუფი ახალია.

3. საქართველოს პლატფორმული კარბონატების ჭრილებში ადრეცარცული (ჰოტრივულ-ბარემული) მიკროფაუნის განაწილების დეტალურმა ანალიზმა დაგვანახა, რომ ფორამინიფირების გარკვეული ერთობლიობა გვხვდება ზღვის სხვადასხვა ბათიმეტრიულ დონეებზე, კერძოდ

ინფრალიტორალსა და ცირკალიტორალში. თანამედროვე კლასიფიკაციების გამოყენებამ და ქანების ნომინაციამ ახალი ტერმინოლოგიით გვიჩვენა, რომ მიკრიტების სიჭარბე მიუთითებს პლატფორმულ კარბონატებში დაბალი ენერგიის ნალექების არსებობაზე, რაც დამახასიათებელია ნალექთდაგროვების წყნარი გარემოსათვის პლატფორმის შიდა ნაწილში, სადაც გვაქვს ზღვის ინფრალიტორული ზონა. ასეთი სურათია ტერიტორიის უმეტეს ნაწილში ძირულის შვერილის პერიფერიებიდან ჩრდილო-დასავლეთ აფხაზეთის ჩათვლით. სპირიტების სიჭარბე აღნიშნულია პლატფორმის კიდეებზე, სადაც გვაქვს მაღალი ენერგიის ნალექები, დადგენილი ფოცხვრევის ქედისა და ნაქერალას ქედის ცალკეულ უბნებზე, ცენტრალურ აფხაზეთში და ნაწილობრივ ძირულის შვერილის სამხრეთ პერიფერიაზე, იქ სადაც ზღვის ცირკალიტორული ზონაა გავრცელებული. საგულისხმოა, რომ ფორამინიფერების გარკვეული კომპლექსები (ერთობლიობა) უშუალოდ არის დაკავშირებული პლატფორმული კარბონატების როგორც დაბალი, ასევე მაღალი ენერგიის ქანებთან.

4. ჩრდილო კავკასიის კალოვიურის სტრატიგრაფიული სქემების ანალიზს მივყევართ იმ დასკვნამდე, რომ ამ რეგიონში შუა კალოვიური ტრანსგრესია არ ვლინდება. საველე დაკვირვებების და შრე-შრეზე აღებული პალეონტოლოგიური მასალისა და ამონიტების არსებული განსაზღვრებების მიხედვით დასტურდება ამ რეგიონში ამონიტური კომპლექსების ნორმალური თანმიმდევრობა.

5. საქართველოს პალეოცენ-ეოცენურ ზღვიურ აუზში ნანოპლანქტონის განვითარებაზე გარემოპირობების მკვეთრი ცვლილებების ზემოქმედების ხარისხის და ხასიათის გამოსავლენად გამოყენებულია ტაქსონების შემდეგი ევოლუციური მაჩვენებლები: 1) სახეობათა მრავალფეროვნება; 2) სახეობათა გაჩენის მაჩვენებელი; 3) სახეობათა გადაშენების მაჩვენებელი; 4) განახლების მაჩვენებელი; 5) ტურნოვერის მაჩვენებელი. გამოკვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ გარემოპირობების, როგორც გლობალური, ისე ადგილობრივი ხასიათის ცვლილებები სრული თანმიმდევრობით აისახა საქართველოს ნანოპლანქტონის განვითარებაშიც. ვულკანური მოქმედებების შეწყვეტის, ოროგენული ფაზისების და ევსტატიური რეგრესიების გამოვლენის პერიოდები დივერსიფიკაციის მაჩვენებლის დაბალი დონეების, სახეობათა გაქრობის და ტურნოვერის მაჩვენებლების პიკებს დაემთხვა. ტექტონიკური გაჭიმვების, ევსტატიური ტრანსგრესიების და ვულკანური აქტივობის პერიოდები შეესაბამება სახეობათა მრავალფეროვნების, სახეობათა გაჩენისა და დივერსიფიკაციის მაჩვენებელთა მაღალ ნახტომებს.

6. კავკასიონის ნაოჭა სისტემის მესტია-თიანეთის ტექტონიკური ზონის ჟინვალ-გომბორის ქვეზონის ფარგლებში ზედაცარცული ნანოპლანქტონის და მიკროფორამინიფერების კომპლექსური კვლევის შედეგად შესაძლებელი გახდა: ფლიშური ნალექების დეტალური დანაწილება; დადგენილი იქნა ნანოფოსილიების 23 და მიკროფორამინიფერების 12 ბიოსტრატიგრაფიული ერთეული (ზონები და ქვეზონები); ნანოფოსილიების ყველა დადგენილი ზონა რეგიონთაშორისო სტრატიგრაფიულ ერთეულს წარმოადგენს, რაც განსაკუთრებით ღირებულს ხდის მათ, როგორც ადგილობრივი, ისე შორეული კორელაციისათვის; დაზუსტდა მთელი რიგი ლითოსტრატიგრაფიული ერთეულების ზუსტი ასაკი, რომლებიც პირობითად იყო მიკუთვნებული ამა თუ იმ სართულს და დღემდე სადისკუსიო საგანს წარმოადგენდა; მოხდა ნანოპლანქტონის და მიკროფორამინიფერების კომპლექსების ზუსტი შეპირისპირება. ასაკობრივი თვალსაზრისით ნამარხთა ეს ჯგუფები თითქმის თანხვდება ერთმანეთს.

7. საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული კარაგანული და კონკური ნალექებიდან მოპოვებული პალეონტოლოგიური მასალის (მოლუსკები, ნანოპლანქტონი) შესწავლის საფუძველზე სტატიაში დასაბუთებულია კარაგანული, კონკური და სარმატული სართულების და მათი შემადგენელი ქვესართულების არსებობა. ზ. სარმატულის ფერადი თიხების ქვეშ მოხერხდა ვესელიანკური ქვესართულის პალეონტოლოგიური დასაბუთება, ხოლო კარანგანულსა და კონკურ სართულებს შორის განსხვავებული მოლუსკური ფაუნის შემცველი ქართველური სართულის დადგენა გახდა შესაძლებელი.

8. პონტო-კასპიური და ხმელთაშუაზღვის გეოლოგიური ისტორიის შესწავლისათვის მნიშვნელოვანია შავი ზღვა, რომლის მობინადრე ორგანიზმების განვითარება უკავშირდება აღნიშნული აუზების ჩამოყალიბებას. შავი ზღვის განვითარება ხაიათდება პალეოგარემოს პერიოდული ცვლილებებით. გეოლოგიური პროცესების შედეგად პერიოდლად ხდებოდა კავშირის შეწყვეტა შავსა და ხმელთაშუაზღვას შორის. ამ ცვლილებების მიმართ განსაკუთრებით მგრძობიარეა მიკროფაუნა (ფორამინიფერები, ოსტრაკოდები), რომლებიც შემონახულია სხვადასხვა ასაკის ნალექებში. მიკროფაუნაზე დაყდნობით განხილულია შავი ზღვაში გარემო-პირობების ცვალებადობა გვიან მიოცენურიდან დღემდე. თანამედროვე შავი ზღვის აუზში ბინადრობს მიკროფაუნის სხვადასხვა სახეობა. მიკროფაუნა მოპოვებულია მდ. ჭოროხის ჩადინების მიდამოებიდან მთელი აჭარის ტერიტორიაზე ქ. ქობულეთის ჩათვლით. მოპოვებული მიკროფაუნა სუბლიტორალური ზონიდან ძირითადად სითბოს მოყვარულია. დღეისათვის შავ ზღვაში ჩამოყალიბებულია სხვადასხვა ტიპის კომპლექსები: ატლანტურ-ხმელთაშუაზღვიური, შეზღუდული კასპიური წარმოშობის, აზოვის ზღვისთვის დამახასიათებელი და საკუთრივ შავი ზღვის ენდემური სახეობათა კომპლექსი.

II. 2. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

სტატიები

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	M.V. Kakabadze	“Speculation on the ethology of some heteromorph ammonites. “Swiss Journal of Palaeontology.	Vol. 134, №2	ქ. ბაზელი, შვეიცარია. Springer	37-42
2	S. A. Adamia, T. G. Chkhotua, T. T. Gavtadze, Z. A. Lebanidze, N. D. Lursmanashvili, N. G. Sadradze, D. P. Zakaraia, G. S. Zakariadze	Tectonic setting of Georgia -Eastern Black Sea: a revi-ew. Geological Society London	Special Publications	London, Lyell collection,428	47-77

ანოტაციები

1. მეზოზოური ნალექების ზონურ-ბიოსტრატიგრაფიულ კორელაციაში ჰეტერომორფული ამონიტების მრავალწარმომადგენელსგადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. სტატიაში განხილულია ტურიკონული და კოლხიკონური ამონიტების მორფოლოგიური თავისებურებები, გათვალისწინებულია მათი ფაციესური გავრცელება და ტაფონომიური მონაცემები. შესწავლილი ჰეტერომორფების მორფოლოგიურ-ფუნქციონალური კომპლექსური ანალიზი იძლევა საფუძველს გავარკვიოთ მათი ეტოლოგიური თავისებურებები; კერძოდ, დასაბუთებულია, რომ ტურიკონები, ისევე როგორც კოლხიკონები ჰელიკოიდურ სტადიაზე, მეზოზოურ პალეოაუზებში ბენთოსურ ცხოვრებას ეწეოდნენ. ონტოგენიის მომდევნო პლანოსპირალურ სტადიაზე კოლხიკონები ნექტონურ, ხოლო განხვეულ სტადიაზე - ფსკერთან ახლოს პასიურად მოტივტივე ცხოვრების

ნირზე გადადიოდნენ. ტურიკონებისა და კოლხიკონების ნიჟარების ნეკროპლანქტონური გადაადგილება დიდ მანძილებზე ავტორის მონაცემებით გამორიცხულია და განხილული ამონიტების ბევრი წარმომადგენელი ფაციესურ ნამარხად უნდა ჩაითვალოს, რაც თავის მხრივ უდავოდ ზრდის მათ მნიშვნელობას პალეოგეოგრაფიული საკითხების კვლევებშიც.
2. განხორციელდა რეგიონის გვიანიურული და ცარცული დროის პალეოტექტონიკური რეკონსტრუქციები; განხილულია კაინოზოური დროის განმავლობაში თანამედროვე სტრუქტურების ჩამოყალიბება; აფრიკა-არაბეთის კონტინენტების სრული კოლიზიის შედეგად რეგიონის კოლიზიისშემდგომი სუბაერული აუზების სედიმენტაცია და ვულკანიზმი; შედგენილია სამხრეთ კავკასიის და მიმდებარე არეების ტექტონიკური ზონების კორელაციის რუკა.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ბ) უცხოეთში

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Koiava, K., Mosar, J., Gavtadze, T., Kvaliashvili, L., Mauvilly, J.	Late Triassic Calcareous Nannoplankton from Georgia and New Age of Moshevani Suite (Caucasus)	Abstract volume of 13th Swiss Geoscience Meeting, Basel, Switzerland, 2015, 20th-21st November, pp. 185-186.
2	Т.Т. Гавтвдзе, Х.Э. Микадзе, З.М. Чхаидзе.	Комплекс наннопланктона и планктонных фораминифер как показатель истории палеобассейнов позднего мела Местиа-Тианетской структурно-фациальной зоны	Современные проблемы палеонтологии LXI сессия Пплеонтологического общества. Санкт-Петербург, 13-17 апреля 2015, Тезисы, с. 25-27.
3	Gamkrelidze, I., Koiava, K., Mosar, J.	Geological Structure of Georgia and Geodynamic Evolution of the Caucasus	Abstract volume of 13th Swiss Geoscience Meeting Basel, Switzerland, 2015, 20th-21st November, pp. 29-30.
4	Mauvilly, J., Koiava, K., Gamkrelidze, I., Mosar, J.	Tectonics in the Greater Caucasus: a N-S section along the Georgian Military Road - Georgia	Abstract volume of 13th Swiss Geoscience Meeting, Basel, Switzerland, 2015, 20th-21st November, p. 42.
5	Beridze, T., Lebanidze Z., Koiava, K., Chagelishvili, R., Khucishvili, S., Khundadze, N.	„The First Evidence of Trace Fossils in Upper Eocene Sediments of Tbilisi Environs (The Achara –Trialeti Fold-Thrust Belt, Georgia) and Their Geological Significance“	31-th Conference of Inter. Assoc. of Sedimentology (IAS). Krakov, Poland. 22-25 June, 2015. Abstract volume 637, p. 63

მოხსენებათა ანოტაციები

1. საქართველო სტერიტორიის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში მდებარე ლოქის მასივის კრისტალური ფუნდამენტის ქანებზე და გრანიტებზე ტრანსგრესიულად განლაგებული მოშევანის

წყება (კონგლომერატები და კვარციანი ქვიშაქვები), რომლის ასაკიც პირობითად იყო განსაზღვრული ჰეტანგურად, ნანოპლანქტონის კუთხით შესწავლილ იქნა მდ. გორასწყლის ხეობის ჭრილში, სადაც ის სრულად არის გაშიშვლებული. აღნიშნულ ნალექებში შეგროვილი ქვიური მასალის შესწავლამ გამოავლინა ნანოფოსილიების კომპლექსი, რომელიც ლიტერატურაში ცნობილია ნორიულ-რეტული სართულებიდან (Crucirhabdus minutus Jafar, C. primulus Rood, Hay & Barnard,Prinsiosphaera triassica Jafar, Tetralithus cassianus Jafar, T. pseudotrifidusJafar, Hayococcus floralis Jafar). ამგვარად, ნანოპლანქტონის მონაცემებზე დაყრდნობით მდ. გორასწყლის ჭრილში მოშევანის წყების კონგლომერატები და კვარციანი ქვიშაქვები შეიცავს ნანოპლანქტონის მხოლოდ გვიანტრიასულ სახეობებს. აღნიშნულის გათვალისწინებით დაარსებული ბიოსტრატიგრაფიული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ჩვენს მიერ მოშევანის წყების ასაკი განისაზღვრა გვიანტრიასულად (ნორიულ-რეტულად).

2. განხილულია კავკასიონის ნაოჭა სისტემის მესტია-თიანეთის ზონის გვიან ცარც- პალეოგენურ დროში ნალექდაგროვების მსვლელობისას მიმდინარე გარემოპირობების ცვლილებები, მათში დაცულ მიკრობიოტის კვლევის საფუძველზე. კერძოდ, ჩატარებულია ნანოპლანქტონისა და მიკროფორამინიფერების ევოლუციური განვითარებისა და მასთან თანმხვედრი ანომალიური გადახრების, პალეოაუზებში თბილი და ცივი, თხელი და ღრმა წყლის მოყვარული პოპულაციების აყვავების და მათი მოულოდნელი გადაშენებების, ანოქსიური და სხვა პალეოეკოლოგიური მოვლენების ანალიზი.

შენიშვნა: მოხსენება 3-ის ანოტაცია იხ. პროექტის მიმართულება 1- ში, 5-ის -

3.1. სამეცნიერო ერთეულის დასახელება: **პეტროლოგიის, ვულკანოლოგიის, მინერალოგიისა და ლითოლოგიის განყოფილება**

3.2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი – **აკადემიკოსი დავით შენგელია**

მამართულება 3: **მაგმატიზმი და მეტამორფიზმი საქართველოს ტერიტორიაზე (2015-2024).**

3.3 სამეცნიერო ერთეულის (განყოფილების) პერსონალური შემადგენლობა – მთ. მეცნ. - თანამშრომლები.: დ. შენგელია, ო. დუდაური და თ. წუწუნავა; უფ. მეცნ. თანამშრომლები.: - ე. ვარსიმაშვილი, გ. ჭიჭინაძე, გ. ვაშაკიძე, მ. ტოგონიძე (0,5 განაკვეთი), რ. მიგინეიშვილი (0,5 განაკვეთი); მეცნ. - თანამშრომლები.: ქ. ჩიხელიძე, თ. ბერიძე, გ. ბერიძე, ქ. თედლიაშვილი (0,5 განაკვეთი), ქ. გაბარაშვილი, ი. დოგრაშვილი, კ. ლობჟანიძე (0.5 განაკვეთი)

არასამეცნიეროპერსონალი: ინჟინერ-გეოლოგი მ. კავსაძე, ლაბორანტები: ს. მეფარიშვილი და ი. ჯავახიშვილი.

გარდამავალი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	კამბრიულისწინა – პალეოზოური მაგმატიზმი (2015-2024)	დ. შენგელია	დ. შენგელია, თ. წუწუნავა, გ. ჭიჭინაძე, გ. ბერიძე, ე. ვარსიმაშვილი, გ. ვაშაკიძე,

			ქ. ჩიხელიძე, ქ. თედლიაშვილი,
2	მეტამორფული წარმონაქმნების კომპლექსური (მინერალოგიური, პეტროგრაფიული, პეტროგეოქიმიური) შესწავლა (2015-2024)	დ. შენგელია	დ. შენგელია, თ. წუწუნავა, გ. ჭიჭინაძე, ქ. ჩიხელიძე, ქ. თედლიაშვილი, გ. ბერიძე
3	მეზოზოური ინტრუზიული და ეფუზიური მაგმატიზმი (2015-2019)	ო. დუდაური	ო. დუდაური, ქ. ჩიხელიძე, გ. ვაშაკიძე, მ. ტოგონიძე, ქ. გაბარაშვილი, კ. ლობჟანიძე, ი. დოგრაშვილი.
4	ცარცული და პალეოგენური ეფუზიური სერიები; ცარცულ-ეოცენური ვულკანოგენ-დანალექი წარმონაქმნების კვლევა; ნეოგენურ ანთროპოგენური ინტრუზივები (2015-2018)	ო.დუდაური	ო.დუდაური, მ.ტოგონიძე, თ. ბერიძე, გ. ვაშაკიძე, ქ. გაბარაშვილი, რ. მიგინეიშვილი, კ. ლობჟაიძე

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპების ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები

1	კვლევითი პროექტის პირველი ეტაპზე შესრულებულია საველე-საექსპედიციო სამუშაოები; შესწავლილია ხრამის კრისტალური მასივის ალპურისწინა მაგმატიტები. მოცემულია გვიანვარისკული გრანიტოიდების გენეტური ტიპიზაცია. განხილულია გვიანვარისკული გრანიტოიდების, კვარცპორფირების, გრანიტპორფირების და ზედაპალეოზოური ვულკანოგენური წარმონაქმნების პეტროქიმია და ფორმირების გეოდინამიკური პირობები. შესწავლილია გვიანვარისკულ გრანიტებში განვითარებული ალანიტი და გრანატი.
2	გასულ წელს პროექტის ამ ეტაპზე მინერალების მიკროზონდული შესწავლის საფუძველზე დადგენილია, ლოქის, ხრამის და ძირულის კრისტალური მასივების კამბრიულამდელი მეტამორფიტების წნევისა და ტემპერატურის პირობები. შესრულებულია იზოტოპურ-გეოქრონოლოგიური განსაზღვრები. დასაბუთებულია ძირულისა და ხრამის კრისტალურ მასივებში განვითარებული გრენვილური რეგიონალური მეტამორფიზმის ხარისხი.
3	პროექტის კვლევის პირველ ეტაპზე შესწავლილია ტრიასული მაგმატიზმის ცირკონის გენეტური ტიპების მორფოლოგიური სახესხვაობები. დადგენილია ადრეულ სტადიაზე განვითარებული ცირკონებზე შემოზრდილი ახალწარმოქმნილი ცირკონების არშიები, რაც ერთნიშნად ასაბუთებს შესწავლილ მაგმატიტებში დროში გათიშულ გენეზისური ტიპების არსებობას.
4	კვლევითი პროექტის პირველ ეტაპზე მოძიებულია საკვლევ ტერიტორიებთან დაკავშირებული ლიტერატურული და საფონდო მასალა. ასევე თემატიკის შემსრულებლები გაეცნენ მსოფლიოს მსგავსი ვულკანური პროვინციების კვლევაში

	არსებულ თანამედროვე მიდგომებს. დაისახა შემდგომი კვლევის სტრატეგია ვულკანური რაიონების ფიზიკური ვულკანოლოგიის ჭრილში შესასწავლად. დაიგეგმა საველე სამუშაოებისათვის გამიზნული ჭრილები და აღებული მასალის შემდგომი ლაბორატორიული შესწავლის მეთოდოლოგია.

I.3. საქართველოს სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	გეოლოგიის ინგლისურ-ქართული ტერმინოლოგიური ლექსიკონი (2014-2016)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	თ. წუწუნავა	თ. წუწუნავა, ე. გამყრელიძე, დ. შენგელია, გ. ჭიჭინაძე, კ. ქოიავა, ქ. თედლიაშვილი, გ. ბერიძე
2	„ოქრო-სპილენძ პორფირული გამადნების და ოქროს ეპიგენეტური უსულფიდო მინერალიზაციის გენეზისი ბოლნისის მადნიან რაიონში	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ვ. გუგუშვილი	ვ. გუგუშვილი, რ. მიგინეიშვილი, თ. ბერიძე და სხვ.
3	ვულკანიზმთან კავშირში, ტეთისის აქტიური კიდის გვიან უბდუქციური განვითარების ფონზე“. (2015-2018) დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები სამხრეთ კავკასიაში (საქართველო-აღმოსავლეთი შავი ზღვა) (2015-2017)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	შ. ადამია	თ. ბერიძე, რ. მიგინეიშვილი და სხვ.

ანოტაციები

1. საანგარიშო წელს დამთავრებულია ტერმონების თარგმნა ინგლისურიდან ქართულად და ისინი დალაგებულია ალფაბეტის მიხედვით, მოძიებულია ყველა არსებული სინონიმი, მათ შორის მოძველებულიც. შევსებულია ქართულ ტერმინოლოგიაში არსებული ხარვეზაბი: ქართულში გამოყენებადი რუსული ტერმონები შეცვლილია შესატყვისი საერთოშორისო ტერმინებით; მიღებულია კონსულტაციები გეოლოგიის სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტებთან. დამთავრებულია ინგლისურ-ქართული ტერმინოლოგიური ლექსიკონის სამუშაო ვარიანტი.

2. I-საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სალიტერატურო, საფონდო და ლაბორატორიული მასალის შესწავლა-ანალიზი ბოლნისის მადნიან რაიონზე. რადგან ბოლნისის მადნიანი რაიონი ტეთის-ევრაზიული სარტყელის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და ჩვენი ამოცანის საგანი ფუნდამენტური კვლევაა, შევისწავლეთ და გავაანალიზეთ არსებული ლიტერატურა შუა აღმოსავლეთის ფართობზე: ირანიდან-ბალკანიდებამდე. გარდა ამისა, ხელახლა გავაანალიზეთ ამ ტერიტორიაზე ჩვენს მიერ ადრე ჩატარებული სამუშაოები და მიღებული შედეგები, რათა შეგვძლებოდა სხვადასხვა ანალოგიურ გეოდინამიკურ ვითარებაში ფორმირებული ობიექტების კორელაცია ბოლნისის მადნიან რაიონში არსებულ ვითარებასთან.

გვქონდა კონსულტაციები უცხოელ კოლეგებთან, გავეცანით მათ მიერ ჩატარებული კვლევების უახლეს მეთოდიკას და გამოქვეყნებულ მასალებს, შევისწავლეთ ინტერნეტში არსებული უახლესი მონაცემები. შევარჩიეთ ბოლნისის მადნიან რაიონში შესასწავლი ობიექტების რიგითობა.

3. პირველ ეტაპზე განხილულია საქართველოს კაინოზოური და მეზოზოური აუზების ევოლუცია, კოლიზიამდელი და კოლიზიის შემდგომი მაგმატიზმი და პალეოტექტონიკური რეკონსტრუქციები, აგრეთვე სუპრასუბდუქციურ მაგმატიზმთან დაკავშირებული მეტალოგენია და პერსპექტიული მადნიანი უბნები.

II. 1. პუბლიკაციები:
ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	V. Gugushvili	Precollision and Postcollision Metallogeny of Gold-Copper-Base Metal Ores at the Phanerozoic Evolution of Tethys Ocean	Tbilisi 2015	130

ანოტაცია

შრომა ეძღვნება გეოდინამიკის კავშირს ვულკანურ და მაგმურ აქტივობასთან და გამადნებასთან ტეთისის ოკეანის ევოლუციის ფონზე. ტეთის-ევრაზიის ოქრო-სპილენძ-პოლიმეტალური მეტალოგენური სარტყელი ამგვარი კვლევისთვის მეტად ხელსაყრელ ობიექტს წარმოადგენს, განსაკუთრებით მისი დასავლური და ცენტრალური სეგმენტები, მოქცეული ირანის, კავკასიის, თურქეთის და ბალტიის ფარგლებში. აფრო-არაბეთისა და ევრაზიის კონტინენტების კონვერგენციამ განაპირობა ტეთისის ოკეანის ფარენოზიური ევოლუცია. ოკეანური სპრედინგის პროცესში ხდებოდა ტერეინების მოწყვეტა აქტიური და პასიური კიდიდან და შემდგომ სუბდუქციის პროცესში ტერეინებს შორის მოქცეული ოკეანური შტოების კოლიზია. ევოლუციის სხვადასხვა სტადიაზე ვლინდება ოკეანური, ბეკარკული, ინტრაარკული და კუნძულთა რკალური ვითარება, რომელიც სპრედინგთან და სუბდუქციასთან არის დაკავშირებული პროკოლიზურ განვითარებაში და სინ-და პოსტკოლიზიურ სიტუაციებში გამოიხატა დამახასიათებელი ვულკანიზმით, მაგმატიზმით და მეტალოგენიით.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	დ.შენგელია, თ.წუწუნავა, გ.ჭიჭინაძე, გ.ბერიძე	ახალი მონაცემები დიზის სერიის მეტამორფიზმის შესახებ ივანე ჯავახიშვილის სახ.თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის შრომები	ახალი სერია ნაკვ.127	თბილისი	17-123
2	ო.დუდაური, მ.ტოგონიძე, ვ.ლებედევი,	კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე ზემო რაჭასა და ქვემო სვანეთში	ახალი სერია ნაკვ.127	თბილისი	123-134

	გ.ვაშაკიძე, ქ.გაბარაშვილი, კ.ლობჟანიძე	ნეოგენურ-მეოთხეული მჟავე მაგმატიზმის განვითარების ეტაპები.ივანე ჯავახიშვილის სახ.თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის შრომები			
3	Е.В. Варсимашвили	Постседиментационнаые преобразования в верхнеюрско-меловой флишовой формации восточного бассейна окраинного моря Большого Кавказа (в пределах Грузии).ივანე ჯავახიშვილის სახ.თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის შრომები.	ახალი სერია ნაკვ.127	თბილისი	134-137
4	Г. Вашакидзе, Р. Ахведиани, И. Ахведиани, В. Лебедев, К. Габарашвили, О. Дудаури, М. Тогонидзе	Некоторые особенности химизма четвертичного вулканизма кельского нагорья (Большой Кавказ). ივანე ჯავახიშვილის სახ.თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის შრომები.	ახალი სერია ნაკვ.127	თბილისი	137-146
5	გ. ბერიძე, ქ.თედლიაშვილი, ქ. ვარდანაშვილი.	ხრამის კრისტალური მასივის გვიანვარისკული გრანიტოიდების, კვარცპორფირ-გრანიტპორფირების და ზედაპალეოზოური ვულკანოგენური წარმონაქმნების პეტროქიმია, გენეზისური ტიპები და ფორმაციების	ახალი სერია ნაკვ.127	თბილისი	147-155

		გეოდინამუკური პირობები. ივანე ჯავახიშვილის სახ.თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის შრომები.			
6	გ. ბერიძე	ალანიტი ხრამის კრისატალური მასივის გვიანვარისკულ გრანიტებში. ივანე ჯავახიშვილის სახ.თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის შრომები.	ახალი სერია ნაკვ.127	თბილისი	155-159
7	ქ.გაბარაშვილი	ვულკან მყინვარწვერის ლავური ნაკადები მდ. ჩხერის ხეობაში. ივანე ჯავახიშვილის სახ.თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის შრომები	ახალი სერია ნაკვ.127	თბილისი	159-163
8	V.Gugushvili, N.Popkhadze, I.Shavishvili	Interrlation of the Bolnisi ore district mineralization with Late Cretaceous volcanic activity and geodimanic development. ივანე ჯავახიშვილის სახ.თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის შრომები.	ახალი სერია ნაკვ.127	თბილისი	184-190
9	გ.მაისურაძე, გ.ბერიძე	ახალქალაქის წყება-ეოპლეისტოცენური კონტინენტური ნალექების სტრატოტიპი საქართველოში.ივანე	ახალი სერია ნაკვ.127	თბილისი	55-62

		ჯავახიშვილის სახ.თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის შრომები.			
10	გ. ბერიძე	ხრამის კრისტალური მასივის გვიანვარისკული გრანიტების გენეტური ტიპიზაცია. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შრომათა კრებული.		თბილისი	15-21
11	გ.ბერიძე, ი.ჯავახიშვილი	ახალი მონაცემები ჯორკვალის ინტრუზივის შესახებ (ზემო სვანეთი). სამეცნიერო-ორაქტიკული კონფერენციის შრომათა კრებული.		თბილისი	21-27
12	გ. ბერიძე	ახალი მონაცემები ხრამის კრისტალური მასივის გვიანვარისკული გრანატიანი გრანიტების გრანატების შესახებ.	მეცნიერება და ტექნოლოგიები №1 718)	თბილისი	43-48
13	ო. დუდაური, მ. ტოგონიძე, ვ. ლებედევი, ქ. გაბარაშვილი, კ. ლობჟანიძე	კავკასიონის სამხრეთ ფერდზე ზემო რაჭის ფარგლებში პლეისტოცენური დაციტური დაიკების სარტყელი და დიდი დაიკა მყინვარ ზოფხითოს ხეობაში.		თბილისი	40-46
14	A. krostsvaridze K. Akimidze N. Gagnidze A. Akimidze D. Bluashvili	Ore Occurences in the Georgian Segment of he Eastern Greater Caucasus: New Research Results. Bull. Geor. Natl. Acad. Sci.	vol. 9. No. 1	თბილისი	102-111

ანოტაციები

1. კვლევების შედეგად დადგინდა:

დიზის სერია შუა იურული ინტრუზივების კონტაქტურ ზემოქმედებამდე წარმოდგენილი იყო ეპიდიაგენეზის პირობებში გარდაქმნილი ქანებით: ძლიერ დისლოცირებული და დაწვრილნაოჭებული ნახშიროვან-თიხური ნივთიერებითა და კვარცით მდიდარი ქვიშაქვებით, არგილიტიზირებული სახესხვაობებით და კირქვებით.

ინტრუზივების თერმული ზემოქმედების შედეგად დიზის სერიის ქვიშურ-თიხური ქანები გარდაიქმნა ნაირგვარი შედგენილობის რქაულებად, ლაქებრივ და კვანძიან ფიქლებად.

დადგენილია კონტქატური მეტამორფიზმის შედეგად განვითარებული მინერალები – კორდიერიტი, ანდალუზიტი, ბიოტიტი, მუსკოვიტი, კორუნდი, პლაგიოკლაზი, გრაფიტი, სკაპოლითი, ტურმალინი, დიოფისიდი, რქატყუარა, აქტინოლითი, ტრემოლითი, ცირკონი, სფენი;

გამოყოფილია კონტაქტური მეტამორფიზმის პიროქსენ (I), რქატყუარა (II) და ალბიტ-ეპიდოტ (III) რქაულური ფაციესები, რომლებშიც განვითარებულია მინერალური პარაგენეზისები:

I – Crd + Bt + Pl + Crn + C + And + Fibr + Qtz; II – Crd + Bt + Ms + Pl + Qtz + C; Crd + Bt + And + Ms ± Pl + Qtz + C, Bt + Crd + Pl + Qtz + C, And + Ms + Pl + Qtz + C, Bt + Ms + Pl + Qtz + And + C და III – Bt + Ab + Qtz + C.

2. დეტალური საველე სამუშაოებისა და მოპოვებული მასალის კამერალური დამუშავების შედეგად აღწერილია ახალი გეოლოგიური ობიექტები, რომლებიც მანადე უცნობი იყო, ან დეტალური შესწავლის საგანი არ ყოფილა. აუცილებელია აღინიშნოს, რომ კვლევის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება იყო მაგმური სხეულების იზოტოპური მეთოდებით დათარიღება. ამ მონაცემების საფუძველზე გამოიყო მაგმატიზმის განვითარების ის ეტაპები რასაც წინამდებარე სტატია მიეძღვნა.

3. ზედაიურულ-ცარცული ფლუშური კომპლექსი ქანების შეცვლის ხარისხის მიხედვით მიეკუთვნება უპირატესად კატაგენეზისის ზონას და ამავე დროს მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიცავს მეტაგენეზის ზონის დამახასიათებელ ელემენტებსაც (ბლასტური სტრუქტურის ჩანასახები, მარმარილოსებრი და დიფერენციალური დაცურების სტრუქტურები). მკაფიო ეპიგენეტური ზონალობა შესწავლილ კომპლექსში არ გაიდევნება. ამის მიზეზია შესწავლილი ფლიშური წარმონაქმნების შედარებით მცირე სიმძლავრე და ნაკლები სტარტიგრაფიული დიაპაზონი.

4. ყელის პლატოს მეოთხეული ვულკანიზმის ქიმიზმის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ვულკანიზმის აქტივობის ოთხივე ფაზას შორის ყველაზე დაბალი ტემპერატურა ჩრდილოეთი ზოლის ვულკანებისთვის არის დამახასიათებელი, საშუალო ტემპერატურიანია დასავლეთ ზონის ვულკანები, ხოლო ყველაზე მაღალ ტემპერატურული -სამხრეთი ზონის ვულკანებია.

5. სტატიაში დახასიათებულია ხრამის კრისტალური მასივის გვიანვარისკული გრანიტები, კვარცპორფირ-გრანიტპორფირული და ზედა პალეოზოური ვულკანოგენ-დანალექი (ქვედა ტუფიტები) კომპლექსები. ქანების სილიკატური და იშვიათმიწა ელემენტების თანამედროვე და კლასიკურ დიაგრამებზე დატანით მოცემულია აღნიშნული ქანების გენეზისური ტიპები და მათი ფორმირების გეოდინამიკური პირობები. ხრამის კრისტალური მასივის გვიანვარისკული გრანიტოიდები I ტიპის გრანიტებს, ხოლო კვარცპორფირები და ალიასკიტები გრანიტების A ტიპის და ზედა ქერქულ წარმონაქმნებს მიეკუთვნება.

6. სტატიაში დახასიათებულია ხრამის კრისტალური მასივის გვიანვარისკული გრანიტების აქცესორული მინერალი ალანიტი. მისი შემცველობა ბიოტიტიც-რქატყუარა-ალანიტიან გრანიტებში 725 გ/ტ-აა. შესწავლილი ალანიტები ცერიუმიან სახესხვაობას მიეკუთვნება და ხასიათდება Ce_2O_3, La_2O_3 და Nd_2O_3 შემცველობით. ხრამის გვიანვარისკულ გრანიტებში ალანიტის წარმოშობა განპირობებულია გრანიტულ მაგმაში იშვიათმიწა ელემენტების დიდი რაოდენობის კონცენტრაციით და ჰიდროთერმული ხსნარების საშუალებით კალციუმის შემოტანით.

7. დადგინდა, რომ ჩხერის ხეობის სამივე ნაკადი უშუალოდ მყინვარწვერიდან მოედინება და წარმოადგენს ერთმანეთისგან დამოუკიდებელ წარმონაქმნებს. ამასთან გამოიყოფა ნაკადების სამი ასაკობრივი ჯგუფი. ყველაზე ძველია მდ. ჩხერის მარცხენა ფერდობის ნაკადები, რომლებიც პალეოჩხერის ხეობაში მოედინებოდა (210 ათასი წელი). მას მოყვება გერგეთის ნაკადები (110 ათასი წელი), ხოლო ყველაზე ახალგაზრდაა ნაკადები, რომლებიც ხეობის შუა წელში უშუალოდ თანამედროვე ალუვიონზე არის განლაგებული.

8. ბოლნისის მადნიანი რაიონი წარმოდგენილია ოქრო-სპილენძ-პორფირული და ოქრო-პოლიმეტალური საბადოებით, რომელთაც ახლავს ეპითერმალური უსულფიდო ოქროს მინერალიზაცია. ისინი ზედაცარცულ ვულკანურ კომპლექსშია განლაგებული. მათი ფორმირება,

ტეთისის ოკეანის ჩრდილოვერგენტულ კონვერგენციას და აქტიური კიდის გეოდინამიკური განვითარების გვიანსუბდუქციურ სტადიას უკავშირდება. გვიანსუბდუქციური სტადია ორი ეტაპითაა წარმოდგენილი, რომელთაც ორი განსხვავებული ტიპის ვულკანიზმი და მადანწარმოშობა ახლავს. პირველი – კუნძულთა-რკალური ტიპის ვულკანიზმით ხასიათდება. იგი უკავშირდება სენომან-სანტონური ასაკის ნორმულ სუბდუქციას, ხოლო მეორე – სუბდუცირებული ფილის კამპანურ ტრანსფორმაციას (გაღუნვას და გახლეჩას), რამაც ვულკანურ კერებში ასტენოსფერული მასალის შეღწევა და მანტიური გავლენა განაპირობა. ეს კი ტურონ-სანტონური კუნძულთა რკალური ვულკანური აქტივობის ,,ბეკარკულში" გადასვლის ტენდენციაში გამოიხატა.

9.ანოტაცია იხილე პროექტის მიმართულება 5.1 ში

10. სტატიაში განხილულია ხრამის კრისტალური მასივის გვიანვარისკული ბიოტიტიანი, ბიოტიტიან-რქატყუარიან-ალანიტიანი, გრანატიანი გრანიტები და ალიასკიტები. აღნიშნული გრანიტების პეტროქიმიური მონაცემები და იშვიათმიწა ელემენტების საშუალო მაჩვენებლები შედარებულია გრანიტოიდების შ, I, M და A კლასიკურ გენეზისურ ტიპებთან. შესწავლილი გრანიტები ძირითადად – I და იშვიათად შ ტიპს, ხოლო ალიასკიტები A ტიპს და ზედაქერქულ წარმონაქმნებს შეესაბამება. ხრამის კრისტალური მასივის გვიანვარისკული გრანიტები მინერალური ასოციაციების, პეტროგრაფიული შედგენილობის, პეტროგენული ელემენტების მახასიათებლების, გენეზისისა და ფორმირების გეოდინამიკური პირობების ტიპიზაციის მიხედვით გარდამავალია MPG (მუსკოვიტის შემცველი პრეალიუმინიანი) და AჩG (ამფიბოლიანი კირ-ტუტე) ტიპებს შორის.

11. განხილულია ჯორკვალის გაბრო - პიროქსენიტული ინტრუზივისა და მისი გამკვეთი დიორიტ - პორფირიტის დაიკების პეტროქიმიური თავისებურებ-ები. ქანების პეტროქიმიური მონაცემების საფუძველზე დადგინდა, რომ ინტრუზივის ქანების უმრავლესობა კირ-ტუტე შედგენილობისაა, იშვიათად გვხვდება ტოლეიტური სერიის ნატრიუმით და კალიუმით ამაღლებული შემცველო-ბის სახესხვაობები. ჯორკვალის ინტრუზივის გაბროსა და პიროქსენიტების და მათი გამკვეთი დიორიტ - პორფირიტების პეტროქიმიური მსგავსება მიანიშნებს, რომ ეს უკანასკნელი გენეზისურად სავარაუდოდ გაბროსა და პიროქსენიტის პროტოლითს უკავშირდება.

12. გრანატიანი გრანიტების გამოსავლების ფართობი ≈1-1.5 კმ2-ია. გრანატის შემცველობა გრანიტებში 5-10%-ია. გრანატი განვითარებულია კარგად გამოხატული ტეტრაგონ-ტრიოქტაედრული კრისტალების სახით. მათი ზომა მერყეობს 2-10 მმ ფარგლებში. გრანატის კრისტალების მიკროზონდული შესწავლის შედეგად დადგინდა მისი ზონალური ხასიათი: ბირთვიდან პერიფერიისკენ კლებულობს მაგნიუმის და მატულობს მანგანუმის შემცველობა, შესაბამისად მცირდება პიროპის და მატულობს სპესარტინის მინალის რაოდენობა. გრანატის ბირთვი ჩამოყალიბდა მაგმურ სტადიაზე პარაგენეზისში Bt+Pl+Ort+Grt+Qrt, ხოლო მისი პერიფერია გრანიტული მაგმის გაციების პოსტმაგმურ სტადიაზე პარაგენეზისში - Ab+Mikr+Grt+Qrt±Ms. გრანატის წარმოქმნა არ იყო დაკავშირებული ასიმილაციის მოვლენებთან, როგორც ეს ადრე მიაჩნდათ

13. კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე, ზემო რაჭის ფარგლებში, ფართოდ არის გავრცელებული პლეისტოცენური ასაკის (1,8 მლნ. წელი) დაციტური შედგენილობის ძარღვები და დაიკები, რომლებსაც ახასიათებს შავი ვულკანური მინისგან აგებული ენდოკონტაქტები. დაციტური სხეულები ორ ზოლად არის განლაგებული: ერთი დაკავშირებულია კავკასიონის სამხრეთი ფერდობის მთავარ შეცოცებასთან, ხოლო მეორე -შუა და ზედა ლიასური ნალექების გამყოფ ტექტონიკურ ზონასთან. ამ უკანასკნელთანაა დაკავშირებული ვოლფრამის, ანთიმონიტის, ვერცხლისწყლისა და დარიშხანის მადანგამოვლინებები.

14. აღმოსავლეთ კავკასიონის საქართველოს სეგმენტში (თუშეთის და კახეთის რეგიონების ფარგლები) მეტალოგენური კვლევის თითქმის 30-წლიანი პაუზის შემდეგ ავტორებს საშუალება მიეცათ, რეგიონში ჩაეტარებინათ ახალი გეოლოგიური ძებნითი

სამუშაოები. შესწავლილ იქნა უკვე ცნობილი თებულოს, ილურთას, საცხვრე ხორხის, აბანოს, ქვაჩადალას, ართანას, ლოდუანის, ჩელთის, შაროხევის და არეშის მადანგამოვლინებები. ამასთან ერთად, მიკვლეულ იქნა ახალი საინტერესო მადანგამოვლინებები მდ. სტორის ჰიდროთერმულად შეცვლილ მძლავრ ზონაში (გელია, ბენდენა და თორიუმიანი) და სოფელ ლეჩურთან – კოლჩედანურ-პოლიმეტალური. ეს უკანასკნელი იმსახურებს დიდ ინტერესს, რადგანაც იგი ლოკალიზაციის გეოლოგიური პოზიციით და მინერალოგიურ-გეოქიმიური პარამეტრებით მნიშვნელოვან მსგავსებას ავლენს ფილისჩაის კოლჩედანურ-პოლიმეტალურ საბადოსთან. ოქროს ამაღლებული კონცენტრაციები შესწავლილი მადანგამოვლინებები ხასიათდება აგრეთვე თანამედროვე მაღალტექნოლოგიური მრეწველობისთვის ისეთი მნიშვნელოვანი ელემენტების სამრეწველო კონცენტრაციებით როგორიცაა თორიუმი, ბისმუთი, კობალტი და კადმიუმი.

II. 2. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებუ ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	Manuel Calvo-Rathert, Avto Gogichaishvili, Goga Vashakidze, Jemal Sologashvili	2015 - New paleomagnetic and paleointensity data from Georgia (Caucasus): a review.	Vol.5, №5, LL15-0503Rv, p1-22.	Latinmag letters	1-22.
ანოტაცია მოცემულია როგორც ლიტერატურაში არსებული (ბოლო ორო ათწლეულის) ასევე ავტორების მიერ მიღებული ახალი პალეოინტენსივობის და პალეომაგნიტური შედეგების ერთიანი ხედვა საქართველოსთვის. განხილულია როგორც კლასიკური პალეომაგნიტური კვლევები, სადაც მოცემულია პალეო მაგნიტური ველის მიმართულებები და ინტენსივობები, ასევე არქეომაგნიტური და არქეოინტენსიურობის კვლევების შედეგები.					

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	გ. ბერიძე, ი.ჯავახიშვილი	ახალი მონაცემები ჯორკვალის ინტრუზივის შესახებ (ზემო სვანეთი)	თბილისი, 2015, 23-24 აპრილი. საქართველოს მინერალოგიური საზოგადოების სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია
2	გ. ბერიძე	ხრამის კრისტალური მსაივის გვიანვარისკული გრანიტების	თბილისი, 2015, 23-24 აპრილი. საქართველოს

		გენეტური ტიპიზაცია	მინერალოგიური საზოგადოების სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

ანოტაციები

1. განხილულია ჯორკვალის გაბრო - პიროქსენიტული ინტრუზივისა და მისი გამკვეთი დიორიტ - პორფირიტის დაიკების პეტროქიმიური თავისებურებები. ქანების პეტროქიმიური მონაცემების საფუძველზე დადგინდა, რომ ინტრუზივის ამგები ქანების უმრავლესობა კირ-ტუტე შედგენილობისაა, იშვიათად გვხვდება ტოლეიტური სერიის ნატრიუმით და კალიუმით ამაღლებული შემცველო-ბის სახესხვაობები. ჯორკვალის ინტრუზივის გაბროსა და პიროქსენიტების და მათი გამკვეთი დიორიტ - პორფირიტების პეტროქიმიური მსგავსება მიანიშნებს, რომ ეს უკანასკნელი გენეტურად სავარაუდოდ გაბროსა და პიროქსენიტის პროტოლითს უკავშირდება.
2. განხილულია ხრამის კრისტალური მასივის გვიანვარისკული ბიოტიტიანი, ბიოტიტიან-რქატყუარიან-ალანიტიანი, გრანატიანი გრანიტები და ალიასკიტები. აღნიშნული გრანიტების პეტროქიმიური მონაცემები და იშვიათმიწა ელემენტების საშუალო მაჩვენებლები შედარებულია გრანიტოიდების შ, I, M და A კლასიკურ გენეზისურ ტიპებთან. შესწავლილი გრანიტები ძირითადად – I და იშვიათად S ტიპს, ხოლო ალიასკიტები A ტიპს და ზედაქერქულ წარმონაქმნებს შეესაბამება. ხრამის კრისტალური მასივის გვიანვარისკული გრანიტები მინერალური ასოციაციების, პეტროგრაფიული შედგენილობის, პეტროგენული ელემენტების მახასიათებლების, გენეზისისა და ფორმირების გეოდინამიკური პირობების ტიპიზაციის მიხედვით გარდამავალია MPG (მუსკოვიტის შემცველი პრეალიუმინიანი) და AჩG (ამფიბოლიანი კირ-ტუტე) ტიპებს შორის.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Beridze, T. Lebanidze, Z. Koiava, K. Chagelishvili, R. Khucishvili, S, Khundadze, N.	"The First Evidence of Trace Fossils in Upper Eocene Sediments of Tbilisi Environs (The Achara- Trialeti Fold- Thrust Belt, Georgia) and Their Geological Significance"	31-th Conference of inter. Assoc. of Sedimentology (IAS) Krakov, Poland.22-25 June 2015.
2	Han-Yi Chiu, Sun-Lin Chung, D.Shengelia, Zurab Javaxishvili, A.Oqroscvaridze, Fu-Yuan Wu, Hao-Yang Lee, Yoshiyuki Lizuka,	Zircon Hf isotopic constrains on the petrogenesis of the Dzirula complex in Georgian Caucasus: the exsistence of Arabian micro-continents	Praga. Goldschmidt comference 2015
3	G. Beridze, I. Javakhishvili	Genetic Types of Late Variscan Granites of the Khrami Crystalline Massif	Baku, Azerbaijan. 2015.
4	Ana Caccavari Garza, Avto Gogichaishvili, Manuel Calvo-Rathert, Juan Morales, Miguel Cervantes, Giorgi Vashakidze,	Estudio paleomagnético y de paleointensidad en una secuencia pliocénica de lavas basálticas en el cáucaso menor, Georgia	2-7 Novemeber, Mexico

	He Huaiyu, Vladimir A. Lebedev		
5	Elisa Maria Sánchez-Moreno, Manuel Calvo-Rathert, Avto Gogichaishvili, Giorgi Vashakidze, Vladimir A. Lebedev, Juan Morales, Angel Carrancho, Juan José Villalaín,	Datos paleomagnéticos y de paleointensidad registrados en dos secuencias de coladas basálticas de la región volcánica de Djavakheti (República de Georgia).	2-7 Novemeber, Mexico.
6	Ana Caccavari, Bógalo M.F., Calvo-Rathert M., Gogichaishvili A., Vashakidze G., Dudauri O. Z., Villalain J.J., Carrancho	Estudio paleomagnético preliminar de lavas cretácicas y paleógenas del distrito de Bolnisi, Cáucaso menor, Georgia	2015. 23 a 27 November, São Paulo - SP. Brazil
7	Sánchez-Moreno E.M., Calvo-Rathert M., Gogichaishvili A., Vashakidze G.T., Lebedev V.A., Carrancho Á., Villalain J.J., Caccavari A., Devidze M., Principe C.	Registro de transiciones de polaridad en coladas volcanicas pliocenas de la meseta de Djavakheti (Cáucaso menor): el caso de la secuencia de Apnia.	2015. 23 a 27 November, São Paulo - SP. Brazil
8	Elisa Maria Sánchez-Moreno, Manuel Calvo-Rathert, Avto Gogichaishvili, Giorgi Vashakidze, Vladimir A. Lebedev, Juan Morales, Angel Carrancho, Juan José Villalaín, Ana Caccavari	New paleomagnetic and paleointensity results from plio-pleistocene volcanic sequences from southern Georgia	San Francisco, 14-18 December.
9	Wang, S, J., Lee, Y.H., Chung, S.L., Okrostsvaridze,	Cenozoic Mountain Building Process in the Greater Caucasus, from Subduction to Collision	American Geophysical Union, Fall Meeting 2015
10	Tormay D, A.V., Okrostsvaridze,	Variscan Granitoid Magma Generation Processes in the Greater Caucasus Collisional Orogen	8th Hutton Symposium, Florianopolis, Brazil, 2015
11	A.V. Okrostsvaridze ,H. Y. Lee, S.L. Cung, Y.H. Chang, Z. Javakhishvil.	Detrial zircon U-Pb and Hf isotopic constraintsnon the magmatic and crustal evolution in Georgia	Praga. Goldschmidt comference 2015
12	Gagnidze N. Okrostsvaridze A.	Gondvanian Relicts in the Processes of the Caucasus Collisional Orogen Continental Crust Formation	Praga. Goldschmidt comference 2015
13	Gagnidze N. Okrostsvaridze A.	Ore-Forming Processes and Ore Occurrences of the Eastern Greater Caucasus GeorgianSegment.	Nansi. France, August. 2015

ანოტაცია

1. აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის აღმოსავლეთი სეგმენტის ფარგლებში, კერძოდ კი ლისის ანტიკლინის ზედაეოცენურ ნალექებში პირველად იქნა ნანახი და განსაზღვრული ორგანიზმების განამარხებული ნაკვალევები-იქნოფაუნა. გამოითქვა მოსაზრება მათი

მნიშვნელობის შესახებ რეგიონული სტრატიგრაფიისა და პალეოგეოგრაფიული თვალსაზრისით. ხაზი გაესვა საქართველოში ინტეგრირებული იქნოლოგიურ-სედიმენტოლოგიური კვლევებისთვის საფუძვლის ჩაყრისა და შემდგომი განვითარების აუცილებლობას.

2. წარმოდგენილია ძირულის კრისტალური მასივის სხვადასხვა კომპლექსის ცირკონ-ჰაფნიუმის იზოტოპური ანალიზი, განსაზღვრულია 17 ქანის ასაკი, ნაჩვენებია რომ ძირული მასივის გრანიტოიდებში გაბატონებულია კარბონული (332-309მლნ, წელი) ასაკი. მასივის ყველა ალპურისწინა გრანიტოიდი შეიცავს მრავალრიცხოვან მემკვიდრეობით ცირკონს, ძირითადი ასაკობრივი განაწილებით (799-500. მლნ, წელი) და ხასიათდება ძლიერ განსხვავებული ჰაფნიუმის იზოტოპური შედგენილობით, რაც მიუთითებს მათ კავშირზე ნაირგვარ მაგმურ აქტივობასთან. გარდა ამისა, ტრიასულმა (≈222მლნ. წელი) გაბროებმა და გვიანცარცულმა (86±1 მლნ. წელი) რიოლითებმა განაპირობა ახალი ცირკონ-ჰაფნიუმის იზოტოპების წარმოშობა.

3. ხრამის კრისტალური მასივის ვარისკული გრანიტების მინერალური, პეტროლოგიური და პეტროგეოქიმიური მონაცემების საფუძველზე გამოყოფილია შესწავილილი გრანიტების გენეზისური ტიპები და მათი ფორმირების გეოდინამიკური პირობები. ნაჩვენებია, რომ შესწავლილი გრანიტები, უპირატესად I ტიპის გრანიტებს მიეკუთვნება.

4. წინა პუბლიკაციებზე (Lebedev et al., 2008, Caccavari et al., 2014) დაყრდნობით მოყვანილია 39 ლავური ნაკადის შესწავლის შედეგები. პალეოინტენსივობის შესწავლის შედეგად დადგინდა რომ საშუალო მაჩვენებლები მერყეობს 16 ± 7.3 და 56.7 ± 15.8 MT შორის, ხოლო მათი შესაბამისი ვირტუალური დიპოლური მომენტი მერყეობს 2.25 ± 1.03 და 8,44 ± 2.71 x 1022 AM2 შორის.

5. შედარებულია ჯავახეთის ლავური პლატოს ორი ჭრილის, 20 ნაკადისგან შემდგარ აფნიას და 27 ნაკადისგან შემდგარი კორხის ჭრილის პალეომაგნეტიზმი და პალეოინტენსივობა. ვირტუალური მაგნიტური ველის გამოთვლისას, ორივე ჭრილში, მიღებულია ნორმალური, გარდამავალი და უარყოფითო პოლარობები.

6. მოცემულია ბოლნისი რაიონის ცარცული დაციტების პალეომაგნეტიზმის შესწავლის წინასწარი მონაცემები.

7. მოცემულია ჯავახეთის მთიანეთის აფნიას ჭრილის პალეომაგნეტიზმისა და პალეოინტესივობის შესწავლის შედეგები. აქ პლიოცენურ ლავებში მკაფიოდ ვლინდება პოლარობის გადასვლა ნორმალური პოლარობიდან უარყოფით პოლარობაში, ხოლო მათ შორის ნაპოვნია ლავური ნაკადი გარდამავალი პოლარობით.

8. მოცემულია ჯავახეთის მთიანეთის მიო-პლეისტოცენური ვულკანიზმის პალეომაგნიტური და პალეოინტესივობის შესწავლის შედეგები. გაზომვების საიმედობის გაზრდის მიზნით პალეოინტენსივობა განსაზღვრული იქნა სამი მეთოდით: მულტი ნიმუშებით, ტელ-ტელით და IZZI-ით.

9. ნაჩვენებია რომ, არაბეთ-ევრაზიის კოლიზური სისტემის გადაადგილება სამხრეთიდან ჩრდილოეთით ასახულია კასპიის ზღვის ჩრდილოეთის სუბდუქციური ზონის და კავკასიონის ეკზჰუმაციით. ეს მოვლენა შესწავლილია აპატიტის დათარიღებით, რომელიც 2-5 მლნ. წელს მოიცავს.

10. განხილულია ვარისკული გრანიტოიდების გენერაციის პროცესები კავკასიონის კოლიზიურ ოროგენში. კერძოდ ნაჩვენებია, რომ გაბრო-პლაგიოგრანიტული სერია ჩამოყალიბდა 355±15 მლნ. წლის წინ. დიორიტ-ადამელიტური სერია კი ყალიბდებოდა 320±12 მლნ. წლის წინ, ხოლო გრანოდიორიტ-ალიასკიტური სერია 395±10 მლნ. წლის წინ.

11. მოცემულია საქართველოს ალპურისწინა წარმონაქმნებში განვითარებული დეტრიტული ცირკონების U-Pl და Hf შესწავლის შედეგები. განსაზღვის შედეგები 500-700მლნ. წელს

მოიცავს.

12. გეოლოგიური, პელეონტოლოგიური, პეტროლოგიური, პალეომაგნიტური და იზოტოპური მეთოდების კომპლექსური გამოყენებით დახასიათებულია გონდვანის რელიქტური პროცესები კავკასიის კოლიზიური ოროგენის კონტინენტური ქერქის ფორმაციებში.

13. აღმოსავლეთ კავკასიონის საქართველოს სეგმენტზე ქვედა-შუაიურულმა ფიქლებმა და ქვიშაქვებმა განიცადა ინტენსიური მსხვრევა, ჰიდროთერმული შეცვლა და მინერალიზაცია. ჰიდროთერმული შეცვლების ზოგ უბანზე ჩამოყალიბდა ძირითადად სპილენძ-პიროტინული და პირიტ-პოლიმეტალური მინერალიზაციები. შესწავლილ იქნა უკვე ცნობილი გამადნებები და ამასთანავე გამოვლენილ იქნა ახალი, საინტერესო მინერალური გამოვლინება მდ. სტორის ხეობის ჰიდროთერმულად შეცვლილ ზონაში. კვლევის შედეგად რეგიონში პირველად იქნა დაფიქსირებული Au ამაღლებული კონცენტრაციები ართანის და თებულოს მადნიანი ველებში.

4.1. სამეცნიერო ერთეულის (ტანყოფილების) დასახელება - **სასარგებლო წიაღისეულისა და გეოქიმიის განყოფილება**

მიმართულება 4: **მადანწარმოშბა საქართველოს ტერიტორიაზე (2015-2024)**

4.2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი – **მთავარი მეცნ.-თანამშრომელი მ. კეკელია**

4.3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა - მთავარი მეცნ. თანამშრომელი ს. კეკელია, მეცნიერ-თანამშრომლები: ნ. ფოფხაძე, ი. მშვენიერაძე, ნ. გაგნიძე, კონსულტანტები: თ. ჩხოტუა, ი. დოლიძე, ინჟინერ-გეოლოგი გ. ასათიანი, ლაბორანტი თ. ნადირაშვილი.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლის შესრულებული და გარდამავალი სამეცნიერო-კვლევითიო პროექტები

№	გარდამავალი პროექტის დასახელება	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	1.ვულკანოგენური ეპიგენეტური საბადოების გეოლოგიურ–გენეტური მოდელის შექმნა (2015) 2.ბოლნისის რაიონის ოქროსა და სპილენძის პოტენციალის დადგენა (2015)	ს.კეკელია	ს. კეკელია, მ. კეკელია, ნ. ფოფხაძე, ი. მშვენიერაძე, ნ. გაგნიძე, გ. ასათიანი.

ანოტაციები

1. შეიქმნა ვულკანოგენური საბადოების გეოლოგიურ-გენეტური მოდელი. იხილეთ უცხოეთში დაბეჭდილი მონოგრაფია.

2. 2015 წელს ჩატარდა საველე სამუშოები ბოლნისის მადნიან რაიონში – ფოლადაურის ვულკანურ სტრუქტურაზე, რომელიც იყო გამოყოფილი როგორც პერსპექტიული ოქროზე და სპილენძზე. ჩატარებულმა სამუშოებმა დაადასტუა ის, რომ ვულკანოსტრუქტურა, მადნეულის მსგავსად , წარმოადგენს გუმბათურ აზევებას. მას ახასიათებს გეოლოგიურ–მადნიანი ნიშნები, რომლებიც მიგვანიშნებენ სიღრმეში საბადოს არსებობაზე. საბადოს აღმოსაჩენად აუცილებელია სამთო

გამონამუშევრებისა , პირველ რიგში ბურღილებისა და შურფების, გაყვანა. აღებული ქვიური მასალა დამუშავების პროცესშია.

გრანტით დამუშავებული სამეცნიერო–კვლევით სამუშაოები

პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
კვარც-მცირესულფიდური ძარღვული ტიპის ოქროს საბადოთა პროგნოზირების გეოლოგიურ-გენეტური საფუძვლების შემუშავება ზემო სვანეთის რეგიონის მაგალითზე (საქართველო)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ს. კეკელია	ს. კეკელია, მ. კეკელია, ი. მშვენიერაძე, ნ. ფოფხაძე, ნ. გაგნიძე, გ. ასათიანი, კ. ლობჟანიძე
ანოტაცია ცნობილი ფონდური და გამოქვეყნებული მასალის საფუძველზე შეიქმნა ორი 200 000 მასშტაბის რუკა, რაჭის და მესტიის, სადაც დატანილია ყველა საბადო და გამოვლინება, რომელიც ცნობილია კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე საქართველოს ფარგლებში. რუკებს თან ერთვის განმარტებითი ბარათი და საბადოების კადასტრები.			

II. 1. პუბლიკაციები:
ა) საქართველოში

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	С. Кекелия, М. Кекелия, Г. Асатиани, Н. Гагнидзе.	- Краткая характеристика металлоносности Малого Кавказа ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის შრომები. ახალი სერია. ნაკვ. 127	თბილისი,	გვ. 163-173

2	ს. კეკელია, მ. კეკელია, გ. ასათიანი, ნ. გაგნიძე, ი. მშვენიერაძე -	მცირე კავკასიონის სპილენძ- და სპილენძ-მოლიბდენპორფირუ-ლი საბადოები და მათი წარმოშობის პირობები.	თბილისი	გვ. 173-184
3	И. Долидзе	Физико-химические условия формирования Мерисских медно-полиметаллических рудопроявлений и Лухумского мышьякового месторождения	თბილისი	გვ. 191-199
4.	V.Gugushvili I.Shavishvili N. Fofkhadze	INTERRELATION OF THE BOLNISI ORE DISTRICT MINERALIZATION WITH LATE CRETACEOUS VOLCANIC ACTIVITY AND GEODYNAMIC DEVELOPMENT	თბილისი	გვ. 184-191

ანოტაციები

1. მცირე კავკასიონის ფარგლებში გამოიყო ხუთი მეტალოგენიური ზონა: აჭარა-თრიალეთის, ბოლნის-ყაზახის, სომხით-ყარაბახის, ამასია-აკერისა და დარალაგესის. აღნიშნული ზონებისათვის გამოყოფილია და ნაჩვენებია დამახასიათებელი ლითონთა საბადოები.

2. განხილულია პორფირული მადნიანი სისტემების კავშირი მცირე კავკასიონის სპეციფიკური განვითარების - სუბდუქციისა და კოლიზიის ფინალურ ეტაპებთან. ნაჩვენებია აშკარა ურთიერთკავშირი ინტრუზული მასივების მასშტაბებსა და პორფირული საბადოების მარაგებს შორის.

3. კავკასიონის სამხრეთი ფერდობის "ამაგმატური" საბადოების შესწავლის შედეგად მიღებულია დასკვნა, რომ ლუხუმის საბადო და მცირე კავკასიონის მერისის მადნიანი კვანძის ვულკანოგენური მადანგამოვლინებები განსხვავდება ერთმანეთისაგან გენეზისით - მადნის ჩამოყალიბების ფიზიკურ-ქიმიური და სხვადასხვა პირობებით.

4. ბოლნისის მადნიანი რაიონი განლაგებულია თეტის–ევრაზიულ მეტალოგენურ სარტყელში, ართვინ–ბოლნისის ზოლის ზედაცარცულ ვულკანურ სერიაში. ბოლნისის მადნიანი რაიონის ოქრო–სპილენძპორფირული და ეპითერმული ოქროს მინერალიზაციის გენეზისი დაკავშირებულია ევრაზიის აქტიური კიდის განვითარების გვიან სუბდუქციურ სტადისთან და ეს სტადია გამოვლენილია 2 ეტაპზე: I - დაკავშირებულია ნორმულ სუბდუქციასთან და კუნძულთა რკალურ გრანიტული ტიპის ვულკანიზმთან, II - სუბდუქცირებული ფილის ტრანსფორმაციასთან (გაღუნვა) და ოკეანური ქედების ტიპის გრანიტულ აქტივობასთან და ოკეანური ქედების დეპლეტირებული ბაზალტების აქტივობასთან. ეს 2 ეტაპი ართმანეთისგან განსხვავდება მინერალიზაციის და გამადნების ხასიათით, თუმცა ორივე წარმოდგენილია გამადნების პორფირულ სერიებში.

II. 2. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	В. Баба-заде, С. Кекелия, Ш. Абдулаева М. Кекелия,	Золотосодержащие сульфидные месторождения островодужных палеосистем, их металлогенические особенности и условия геодинамического развитияю	Баку, 2015	400 გვ.

ანოტაცია

ნაშრომი წარმოადგენს ქართველი და აზერბაიჯანელი მეცნიერების კვლევის შედეგებს, რომელიც ჩატარდა INTAS, CRDF და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური დახმარებით.

წიგნში დახასიათებულია პონტურ–მცირე კავკასიონის პალეოკუნძულთა რკალური ლითოგეო–დინამიკური კომპლექსების (გეოლოგიური წარსულის გეომორფოსტრუქტურების ფრაგმენტების) მეტალოგენური თავისებურებანი. მადანმატარებელი ფრაგმენტები წარმოადგენს მცირე კავკასიონის და აღმოსავლეთ პონტიდების შემადგენელ ნაწილს. აღნიშნულ ფრაგმენტებში სჭარბობს ფერადი ლითონების ოქროსშემცველი ვულკანოგენური საბადოები; ცნობილია აგრეთვე სპილენძ–პორფირული გამოვლინებები და საბადოები. დადგენილია, რომ ლითოგეოდინამიკური კომპლექსების შემადგენელი ნაწილების - გეოლოგიური ფორმაციების მადნიანობა არის მათზე ენდო– და ეგზოგენური პროცესების ზეგავლენის შედეგი. ფლუიდური სისტემების ჩასახვა ხდებოდა ნაოჭა სისტემების განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე, ძირითადად, კონსერვაციული ტრანსფორმული სტრუქტურების ზონებში. მაგალითად, კონვერგენტული ეტაპის და ალპური ციკლის კოლიზიურ ეტაპზე ფუნქციონირებდა მადანმატარებელი ჰიდროსისტემები ე.წ. "სპეციალიზირებულ" წარმონაქმნებში (ფერადი ლითონების ვულკანოგენური საბადოები) და, აგრეთვე, ფლუიდურ-მაგმური სისტემები. ქერქვეშა ნივთიერების დიფერენციაციის და მისი დიფერენციატების გადაადგილების შედეგადა ჰიპაბისალურ დონეზე წარმოიშვა ოქროსმადნიანი, სკარნულ-რკინის და სპილენძ-მოლიბდენ პორფირული საბადოები. მცირე კავკასიონის ფერადი ლითონების ვულკანოგენური საბადოების პროგნოზირებისათვის წარმოდგენილია გეოლოგიურ–გენეტური საფუძველი. შემუშავებულია პრინციპები ჩამოთვლილი მადანგამოვლინებების ძებნითი მრავალფაქტორიანი მოდელების შესადგენად, რომელთა გამოყენება მიზანშეწონილად მიგვაჩნია კავკასიის რეგიონში. ამასთან დაკავშირებით მოყვანილია რაოდენობრივი მადანგეოლოგიური ნიშანთვისებები (გეოლოგიური, გეოქიმიური, გეოფიზიკური) და მათი აღწერა.

შემუშავებულია პრინციპები წიგნში განხილული მადანგამოვლინებების ძებნითი მრავალფაქტორიანი მოდელების შესადგენად, რომელთა გამოყენება ავტორებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ კავკასიის რეგიონში. ამასთან დაკავშირებით, მოყვანილია რაოდენობრივი მადან–გეოლოგიური (გეოლოგიური, გეოქიმიური, გეოფიზიკური) ნიშანთვისებები და მათი აღწერა.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნ. ფოფხაძე, რ. მორიცი, ს. ჯიალი, ვ. გუგუშვილი	Evidence of Shallow-Marine Depositional Environment of the Host Rocks of the Madneuli Polymetallic Deposit, Bolnisi District, Lesser Caucasus, Georgia. Vol.5, pp. 2083–2086.	მინერალურ საბადოებთან დაკავშირებული ორგანიზაციის XIII ბიენალური შეხვედრის შრომათა კრებული - მინერალური საბადოები მყარ მსოფლიოში, ნანსი, საფრანგეთი. აგვისტო, 2015 წ
2	ჯ. ლავოიე, რ. მორიცი, ნ. ფოფხაძე, ჯ. სტენგენბერგი	The Late Cretaceous Epithermal Beqtakari Prospect; Bolnisi Mining District, Georgia, Lesser Caucasus. Vol.1, pp. 313–317.	ნანსი, საფრანგეთი. 2015 წ
3	ნ. გაგნიძე, ა. ოქროსცვარიძე	Ore-Forming Processes and Ore Occurrences of the Eastern Greater Caucasus Georgian Segment. Vol.2, pp. 733–736.	ნანსი, საფრანგეთი. 2015 წ

ანოტაციები

1. მადნეულის ოქრო–სპილენძ პოლიმეტალური საბადო არის მთავარი მადანგამოვლინება ბოლნისის რაიონში . ამ რაიონში ცნობილია რიგი მადანგამოვლინება, რომლებიც ზედაცარცულ ვულკანიზმს უკავშირდება. საბადოს შემცველი ქანების კვლევა ეფუძვნება ფიზიკურ ვულკანოლოგიასა და სედიმენტაციური აუზების რეკონსტრუქციას. ეს მეთოდი პირველად იქნა გამოყენებული ამ რეგიონში ავტორის მიერ. ჩვენმა კვლევამ გვიჩვენა, რომ საბადოს შემცველი ქანების მნიშვნელოვანი ნაწილი დალექილია მარჩხი წყლის პირობებში. ფრეატომაგმატური ბრექჩიის არსებობა კიდევ უფრო განამტკიცებს ამ აზრს საბადოზე არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთად.
2. ბექთაკარის საბადო მდებარეობს ბოლნისის რაიონში. იგი აგებულია ზედაცარცული საშუალო და მჟავე კირტუტე სერიის ქანებით. კვლევა ეფუძნება მინერალოგიურ და პეტროგრაფიულ შესწავლას, საველე აგეგმვასა და კერნის აღწერებს. საბადოზე მინერალიზაცია 2 ზონად იყოფა: ოქრო–ვერცხლით მდიდარი ზონა, რომელიც აგებულია ძლიერ გაკვარცებული რიოდაციტებით და შეიცავს პოლიმეტალურ მინერალიზაციას და ასოცირდება ჰიდროთერმულად შეცვლილ ბრექჩიასთან. გვიანი დაიკები კი უკავშირდება რიოდაციტურ გუმბათებს და ისინი გაკვეთილია სპილენძ–ვერცხლით გამდიდრებული ნაწილით. გვიანი მინერალიზაცია გადაფარულია შემცხვარი ტუფებით, რომლებიც გასანდამის ფორმაციის პროქსიმალურ სუბფორმაციას მიეკუთვნება.
3. აღმოსავლეთ კავკასიონის საქართველოს სეგმენტზე ქვედა-შუაიურულმა ფიქლებმა და ქვიშაქვებმა განიცადა ინტენსიური მსხვრევა, ჰიდროთერმული შეცვლა და მინერალიზაცია. ჰიდროთერმული შეცვლების ზოგ უბანზე ჩამოყალიბდა ძირითადად სპილენძ-პიროტინული და პირიტ-პოლიმეტალური მინერალიზაციები. შესწავლილ იქნა უკვე ცნობილი გამადნებები და ამასთანავე გამოვლენილ იქნა ახალი, საინტერესო მინერალური გამოვლინება მდ. სტორის ხეობის ჰიდროთერმულად შეცვლილ ზონაში. კვლევის შედეგად რეგიონში პირველად იქნა დაფიქსირებული Au ამაღლებული კონცენტრაციები ართანის და თებულოს მადნიანი ველებში.

5.1. სამეცნიეროერთეულის(განყოფილების) დასახელება: **გარემოს ფიზიკურ–ქიმიური კვლევის განყოფილება**

მიმართულება 5**: გარემოს ეკოლოგიური მონიტორინგი და შეფასება (2015-2024)**

5.2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი –**ვახტანგ გვახარია, მთავარი მეცნ.-თანამშრომელი.**

5.3. სამეცნიერო ერთეულის (განყოფილების) პერსონალური შემადგენლობა: მ. ჯიბლაძე მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი; უფროსი მეცნიერ–თანამშრომლები: ა. მიქაბერიძე, ნ. მაჩიტაძე, ტ. ადამია, ნ. გელაშვილი; მეცნ.–თანამშრომლები: რ. ხარგელია, ც. ხუხუნია.

არასამეცნიერო პერსონალი – ინჟინერ-ქიმიკოსები: ნ. ქადაგიშვილი, ე. კობახიძე; ინჟინერ–ფიზიკოსი–გ.ჟორჟოლიანი

1.1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლის შესრულებული და გარდამავალი სამეცნიერო–კვლევითი პროექტები

1.№	გარდამავალი პროექტის დასახელება	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	საქართველოს შავი ზღვის აკვატორიის გეოეკოლოგიური, გეოქიმიური და ჰიდროქიმიური კვლევა. (2015-2024)	ვ.გვახარია	მ. ჯიბლაძე, ა. მიქაბერიძე, ნ.მაჩიტაძე, ტ. ადამია, ნ. გელაშვილი, რ. ხარგელია, ც. ხუხუნია, ნ. ქადაგიშვილი, ე. კობახიძე,
2	ქ.თბილისის საბურთალოს ზოგიერთი ძირითადი სატრანსპორტო მაგისტრალის ხმაურით დაბინძურების ხარისხის შეფასება(2015–2024)	ვ. გვახარია	ა.მიქაბერიძე, მ.ჯიბლაძე, ტ.ადამია, გ.ჟორჟოლიანი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტების ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები

1. 2015 წლის კვლევითი სამუშაოების პირველ ეტაპზე (2015 წ. მარტი – სექტემბერი) განხორციელდა ფოთი – ურეკის ზონაში მდინარეებისა და ზღვის ფსკერული ნალექების კვლევა. საკვლევი არეალი მოიცავდა საზღვაო აკვატორიას ფოთიდან ანაკლიის ჩათვლით. აღებულია საკვლევი მასალა, შესრულებულია ანალიზური სამუშაოები. სამუშაოების მიზანს შეადგენდა ზღვის გარემოს მონიტორინგის ერთერთი ნაწილის, კერძოდ ქიმიური დაბინძურების მონიტორინგის სქემის შემუშავების პროცესში სენსიტიური წერტილების აღმოჩენა, ზღვის წყლის, ფსკერული ნალექების და ბიოტას დაბინძურების დონის შეფასება, დაბინძურების ძირითადი წყაროების და დამაბინძურებელი ნივთიერებების იდენტიფიცირება, ზღვის გარემოზე ზემოქმედების ხარისხის შეფასება. კვლევის ამ ეტაპზე მიღებული მასალის საფუძველზე გაფორმდა სამეცნიერო პუბლიკაცია. მიღებული მონაცემები დამუშავებულია მეტა-მონაცემების ფორმატირების ახალი ინსტრუმენტების (CDI, ODV) საშუალებით და შეტანილია ოკეანოგრაფიულ მონაცემთა საერთო ევროპულ მეტა-მონაცემთა ბაზებში (http://www.seadatanet.org/, http://www.blackseascene.net). ციფრული დამუშავებული ინფორმაცია განთავსებულია ფირმა „გამა"-ს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კუთვნილ სერვერებზე. სავლე სამუშაოების მეორე ეტაპი (2015 წლის ოქტომბერი-დეკემბერი) მოიცავდა მდინარეების: სუფსა, რიონი, ხობი და პალიასტომის

ტბის კვლევას. კვლევის შედეგებით განისაზღვრება ის არეალები, რომლებიც გათვალისწინებული იქნება შავი ზღვის სანაპირო ზონის დაბინძურების მონიტორინგის სქემაში. ასევე დადგინდება პრიორიტეტული დამაბინძურებელი ნივთიერებების სია, შეფასდება მონიტორინგის სრულყოფილად განხორციელების მატერიალურ-ტექნიკური რესურსები და საჭიროებები. ზღვის გარემოს მონიტორინგის პროგრამის ერთერთი ნაწილია ზღვის მყარი ნარჩენების მონიტორინგი. ჩატარდა საპილოტე კვლევა, რომლის ძირითადი მიზნები იყო პლაჟის ნარჩენების კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება; ჩვენი კონკრეტული პირობებისათვის მისი ადაპტირება; საქართველოს სანაპირო ზონაში ნარჩენების რაოდენობის, შემადგენლობის და განაწილების ტენდენციების შესახებ პირველი შეფასებების გაკეთება; მიღებული პირველადი შედეგების საფუძველზე მონიტორინგის საცდელი საიტების შერჩევის სტრატეგიის და კვლევების მეთოდოლოგიის სრულყოფა; მიღებული შედეგების გამოყენების შესაძლებლობა ზღვის გარემოს ეკოლოგიური სტატუსის შეფასებისათვის. კვლევისათვის შეირჩა პლაჟების გარკვეული მონაკვეთები, შესწავლილია მყარი ნარჩენებით დაბინძურების დონე, სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე შეფასებულია ნარჩენების სხვადასხვა კატეგორიების განაწილება, რაც საშუალებას იძლევა შევაფასოთ დაბინძურების სავარაუდო წყაროები და ნარჩენების გავრცელების ტენდენცია

2. აკუსტიკური ხმაური გარემოს მნიშვნელოვან ეკოლოგურ ფაქტორს წარმოადგენს. ხმაური მოსახლეობის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზეგავლენის სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება. მოქმედებს რა ადამიანის ფსიქიკაზე, იგი იწვევს დაღლილობას, გაფანტულობას და სხვა სიმპტომებს. ხმაურის ზეგავლენის ქვეშ ხანგრძლივმა ყოფნამ შეიძლება მიგვიყვანოს სხვადასხვა ფსიქიურ დაავადებებთან და მოშლილობებთან, იგი მოქმედებს აგრეთვე ადამიანის გულსისხლძარღვთა სისტემაზე და იწვევს სხვადასხვა დაავადებებს. ქალაქებში აკუსტიკური დაბინძურების ძირითად წყაროს წარმოადგენს საავტომობილი ტრანსპორტი. ხმაურის დონეების უდიდესი მნიშვნელობები, რომლებიც აღწევს 70-80 დბა-ს ფიქსირდება საცხოვრებელ განაშენიანებაში, რომელიც გარს აკრავს მაღალინტენსიურ სატრანსპორტო მაგისტრალებს. ბოლო ათწლეულების განმავლობაში სატრანსპორტო საშუალებების გაზრდილი რიცხვის, მათი შენახვის ხარისხის გაუარესებისა და სხვა მიზეზების გამო, დიდ ქალაქებში აკუსტიკური ველების ზემოქმედება, ხმამაღლობის სუბიექტური შეგრძნების მიხედვით, გაიზარდა 1,5-ჯერ; გაიზარდა აგრეთვე მოსახლეობის რაოდენობაც, რომელიც იმყოფება ზენორმატიული ზემოქმედების ქვეშ. 2015 წლის კვლევითი სამუშაოების ჩატარებისას შესწავლილია საბურთალოს ძირითადი სატრანსპორტო მაგისტრალების (ვაჟა ფშაველას გამზირი, ყაზბეგის, ნუცუბიძისა და კანდელაკის ქუჩები) მიმდებარე ტერიტორიების სატრანსპორტო ხმაურით დაბინძურება. 2015 წლის საანგარიშო პერიოდში, საველე სამუშაოების ჩატარებისას, განხორციელდა:

- ხმაურის შესასწავლად არჩეულ მაგისტრალების პარამეტრების დადგენა (განივი და გასწვრივი პროფილი, გადასარბენის სიგრძე, სხვადასხვა დონეზე გადამკვეთი სატრანსპორტო კვანძების ტიპები, გზაჯვარედინებისა და მოედნების ტიპები, შუქნიშნები, გზის საფარი და სხვ).
- არჩეულ მაგისტრალებზე საკონტროლო წერტილების შერჩევა. ამ საკონტროლო წერტილებში ტრანსპორტის ისეთი პარამეტრების დადგენა, როგორიცაა მოძრაობის ინტენსივობა, სიჩქარე, ნაკადში სატვირთო და მსუბუქი ერთეულების რაოდენობა და სხვ.
- არჩეულ საკონტროლო წერტილებში მოძრავი ტრანსპორტის ინტენსივობის დროზე დამოკიდებულების შესწავლა და მისი ანალიზი დროის სხვადასხვა შუალედისათვის.
- ცალკეული მაგისტრალისათვის მოძრავი ტრანსპორტის მაქსიმალური ინტენსიობის შესაბამისი დროის შუალედის დადგენა.

2015 წლის კვლევითი სამუშაოების მეორე ეტაპზე, საველე სამუშაოების შედეგად მიღებული მასალის საფუძველზე, გამოთვლილი იყო ქალაქში ხმაურის გასაანგარიშებლად,

ნორმირებისათვის და კონტროლისათვის მიღებული სიდიდე - ბგერის ექვივალენტური დონე - $L_{A\text{ექვ}}$ დბა.

3. ხმაურით დაბინძურების დონის შეფასებისას დადგენილია ბგერის მაღალი ექვივალენტური დონის მქონე (70-80 დბა) საკონტროლო წერტილები. კვლევის ამ ეტაპზე მიღებული მასალის საფუძველზე გაფორმების სტადიაშია სამეცნიერო პუბლიკაცია.

II. 1. პუბლიკაციები
ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლ ობა	გვერდების რაოდენობა
1	ვ. გვახარია ჯ. გაბეჩავა, ტ. ადამია, ნ. ცირღილაძე, ნ. მაჩიტაძე ნ. გელაშვილი ც. ხუხუნია, ბ. ლებანიძე	ქსნის მიწისქვეშა წყლების საბადოს შესწავლა სამრეწველო ათვისების მიზნით. ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის შრომები.	ახალი სერია. ნაკვ. 127	თბილისი, 2015	გვ. 200-206
2	ვ. გვახარია კ. ბილაშვილი, ნ. მაჩიტაძე, ნ.გელაშვილი, გ. მაისურაძე, ტ. ადამია, ც. ხუხუნია	შავი ზღვის გარემოსდაცვითი მონიტორინგის ეროვნული პროგრამების და ქვეპროგრამების შემუშავების წინაპირობები. ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის შრომები.	ახალი სერია. ნაკვ. 127	თბილისი, 2015	გვ. 206-210
3	А.Микаберидзе, В.Гвахария, М.Джибладзе, Т. Адамия, Г. Жоржолиани	Оценка состояния шумового загрязнения автомобильным транспортом проспекта И. Чавчавадзе, г. Тбилиси. ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის შრომები.	ახალი სერია. ნაკვ. 127	თბილისი, 2015	211-214 გვ.

ანოტაციები

1. შესწავლილია ქსნის მიწისქვეშა წყლის საბადო მისი სამრეწველო გამოყენების მიზნით.

ჩატარებულია საბადოს და მისი მიმდებარე ტერიტორიის აუდიტი, შეფასებულია ჭაბურღილების მდგომარეობა და რესურსები. წყლის ხარისხი შეფასებულია საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად, ქიმიური და მიკრობიოლოგიური კვლევების საფუძველზე. დადგენილია, რომ შესაძლებელი იქნება მაღალი ხარისხის კონდიციური წყლის მიღება ბუტილირებული პროდუქციის საწარმოებლად. ასეთი ხარისხის ბუტილირებული წყალი დააკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ ნორმატივებსა და საერთაშორისო სტანდარტებს.

2. შავი ზღვის გარემოს დაცვა არის საქართველოსათვის ერთერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა სანაპირო ზონების ინდუსტრიული და ტურისტული პოტენციალის ზრდის პირობებში. საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივის (Directive 2008/56/EC) ერთერთი მთავარი მოთხოვნაა ზღვის გარემოს კარგი ეკოლოგიური სტატუსის მიღწევა ან გაუმჯობესება 2020 წლისათვის. სტრატეგიის დანერგვა მოითხოვს ზღვის გარემოს მონიტორინგის ეროვნული პროგრამის შემუშავებას და განხორციელებას. ავტორთა მიერ მოწოდებულია დაბინძურების მონიტორინგის ქვე-პროგრამის სქემა. 2015 წლის ივნისში ჩატარდა ეკოლოგიურად სენსიტიური არეალების კვლევა. ზღვის ფსკერულ ნალექებში განსაზღვრულია მძიმე ლითონებისა და ნავთობის ნახშირწყალბადების შემცველობა.
3. შესრულებულია ქ. თბილისის ილია ჭავჭავაძის პროსპექტის მიმდებარე ტერიტორიის ავტოტრანსპორტის ხმაურით დაბინძურების შეფასება. გამოთვლები ჩატარებულია არჩეულ საკონტროლო წერტილებში დროის ერთეულში ჩავლილი ტრანსპორტის რაოდენობისა და ტიპის გათვალისწინებით. კვლევის რაიონში გამოთვლილია სატრანსპორტო ნაკადის ხმაურის მახასიათებლები.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარებ-ის დრო და ადგილი
1	ნ. მაჩიტაძე	ევროგაერთიანების საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივის განხორციელება საქართველოში შავი ზღვის გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესების კუთხით (პროექტი „ემბლას“– ი, პირველი ფაზა)	2 – 9 თებერვალი, 2015, თბილისი
2	ნ. მაჩიტაძე ვ. გვახარია	მონიტორინგის ეროვნული და რეგიონული პროგრამების გადახედვა - ემოთავაზებული ქვეპროგრამები	1 – 3 მარტი, 2015, თბილისი
3	ნ. მაჩიტაძე ვ. გვახარია	საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივის (MSFD) რეალიზება შავი ზღვის საქართველოს სექტორისთვის (ევროგაერთიანების პროექტების“PERSEUS“ და „EMBLAS“ ფარგლებში)	8-9 ოქტომბერი, 2015 წ. თბილისი

ანოტაციები

1.ევროგაერთიანების პროექტი EMBLAS მიზნად ისახავს შავი ზღვის ეკოლოგიის დარგში მომუშავე სპეციალისტების დახმარებას ზღვის გარემოს კვლევების თანამედროვე მიდგომების გაზიარებაში, ახალი მეთოდების გაცნობაში. პროექტის პირველი ფაზა ითვალისწინებდა ინფორმაციის შეგროვებას ზღვის გარემოს კვლევის დარგში მომუშავე ორგანიზაციების

შესახებ, მათ მიერ გამოყენებული კვლევის მეთოდების, სამეცნიერო აპარატურის, პერსონალის კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ. ინფორმაციის გაანალიზების შემდეგ გამოიკვეთა ის პრობლემები, რომლებიც ამ სფეროში არსებობს, ასევე ის გზები, რომლებიც შესაძლებელს გახდის არსებული პრობლემების აღმოფხვრას.

2. საზღვაო სტრატეგიული ჩარჩო დირექტივის მოთხოვნების შესაბამისად ევროპის წევრი სახელმწიფოების მიერ უნდა გატარდეს მთელი რიგი ღონისძიება, რომლებმაც 2020 წლისათვის უნდა უზრუნველყოს ზღვის გარემოს კარგი ეკოლოგიური სტატუსი. ეკოლოგიური სტატუსის შეფასების ინსტრუმენტები და კრიტერიუმები განმარტებულია ამ დირექტივის და ევროპარლამენტის მიერ მიღებული სხვა შესაბამისი დოკუმენტებით. მათი გათვალისწინებით წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შექმნას ზღვის გარემოს ინტეგრირებული მონიტორინგის პროგრამები და უზრუნველყოს მათი დანერგვა. საქართველოში უნდა მოხდეს არსებული მონიტორინგის სისტემის გადახედვა და განახლება. ავტორთა მიერ შემოთავაზებულია მონიტორინგის სქემის ვერსია, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს ქიმიური დაბინძურების მონიტორინგის ქვე-პროგრამას.

3. საერთაშორისო პროექტების "PERSEUS"–ისდა „EMBLAS" –ისფარგლებში მიმდინარე სამუშაოები მიზნად ისახავს ევროპის საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივის მოთხოვნების იმპლემენტაციას. პროექტების ფარგლებში მიმდინარეობს საერთაშორისო თანამშრომლობა მონიტორინგის ეროვნული პროგრამების ჰარმონიზაციის მიზნით. მიმდინარეობს მონიტორინგის ვადების, განსასაზღვრი პარამეტრების და ინდიკატორული ბიოლოგიური სახეობების შეთანხმება. განიხილება ბიოლოგიური და ქიმიური კვლევის შედეგები.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნ. მაჩიტაძე	"Improving Environmental Monitoring in the Black Sea" (EMBLAS-II) კომიტეტის შეხვედრა, სამუშაო სემინარი	2 – 3 ივლისი, 2015, სტამბული, თურქეთი
ანოტაცია			
განხილულ იქნა ზღვის გარემოს ეროვნული პროგრამების შედგენის მიმდინარე მდგომარეობა;მოხდა საკვლევი პარამეტრების, მონიტორინგის ქსელის და ვადების შეთანხმება და საპოლოტე კვლევების დაგეგმვა.			

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო
1	ატომის ბირთვის კრისტალური მოდელი, ნივთიერების აგებულება	მ.ჯიბლაძე	მ.ჯიბლაძე	

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)
ნაჩვენებია, რომ ატომის ბირთვი, ჰიდროდინამიკური მოდელისაგან განსხვავებით, წარმოადგენს პროტონისა და ნეიტრონისაგან შედგენილ რომბული, პრიზმული და კუბური ფორმის სისტემებს, რამაც საშუალება მოგვცა აგვეხსნა ბუნებაში არსებული ქიმიური ელემენტების შემოზღუდული რაოდენობა. დადგინდა კრისტალების წარმოქმნის მექანიზმი.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მ. ჯიბლაძე	ატომის ბირთვის კრისტალური მოდელი	თბილისი, გამომცემლობა "საზოგადოება ცოდნა"	108 გვ.
განხილულია ატომის ბირთვის კრისტალური მოდელი და ნაჩვენებია პროტონის მიერ შექმნილი სტატისტიკური ველის გავლენა ნეიტრონზე სხვადასვა ბირთვების სტრუქტურის ფორმირებაზე. ნაჩვენებია მეტად არამდგრადი ბერილიუმის იზოტოპის ^{8}Be როლი საშუალო და მძიმე ბირთვების ფორმირებაში.				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მ. ჯიბლაძე	ატომებისა და მოლეკულების აგებულება	მეცნიერება და კულტურა, №2, 2015	თბილისი, მეცნიერებათა აკადემიის, სტუ	
განხილულია ატომებისა და მოლეკულების სტრუქტურები და ნაჩვენენია, რომ მოლეკულების შექმნაში ძირითად როლს ასრულებს იონური და არაკოვალენტური კავშირები.					

ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორ	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	М.И.Джибладзе	Кристаллическая модель атомного ядра	გერმანია, საარბრუკენი, გამომცემლობა LAMBERT Academic Publishing	105 გვ.
ანოტაცია განხილულია ატომის ბირთვის კრისტალური მოდელი და ნაჩვენებია პროტონის მიერ შექმნილი სტატისტიკური ველის გავლენა ნეიტრონზე სხვადასვა ბირთვების სტრუქტურის				

ფორმირებაზე. ნაჩვენებია მეტად არამდგრადი ბერილიუმის იზოტოპის ^{8}Be როლი საშუალო და მძიმე ბირთვების ფორმირებაში.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდ ების რაოდე ნობა
1	Джибладзе М.И.	Ядерная энергия при синтезе ядер.	“Инженерная физика”, 2015, №1.	Москва, 2015	გვ.13-17
2	Джибладзе М.И	Горение водорода и гелия при ядерных реакциях	“Инженерная физика”, 2015, №3, стр. 3-14	Москва, 2015	გვ.3-14
3	V. Gvakharia, A. Chirakadze et al.	Arsenic pollution of soils and morbidity prevalence in Racha-Lower Svaneti district of Georgia. International Journal of Global Warming	Vol. 10, # 1, 2016 (in print)	Inter Science Publishers	-
4	V. Gvakharia, A. Chirakadze et al	COMBINED PROCESSING OF WASTE ORGANIC POLYMERS AND MANGANESE BEARING WASTE/LOW GRADE ORES INTO FUELS AND LOW-CARBON MANGANESE ALLOYS. International Journal of Global Warming	Vol. 10, # 2, 2016 (in print)	Inter Science Publishers	-
5	V. Gvakharia, A. Chirakadze et al.	COMPLEX PROCESSING OF MANGANESE BEARING WASTE AND LOW-GRADE ORES BY AUTOCLAVING METHOD. International Journal of Global Warming	Vol. 10, # 3, 2016 (in print)	Inter Science Publishers	-
6	ნ. ბაგრატიონი ვ. გვახარია, ა. ჭირაქაძე, ლ.გვერდწითელი	„რაჭის და ქვემო სვანეთის დაბინძურებული ტერიტორი-ის ნიადაგის ეკოქიმიური კვლევის შედეგების ზოგადი ანალიზი“. საქართველოს ქიმიური ჟურნალი	ტ.16, №2	თბილისი, საქართველო. 2015 წ.	

ანოტაციები

1.შრომაში ნაჩვენებია, რომ ბირთვების სინთეზის დროს, ნუკლონებს შორის ელექტროდიპოლური ურთიერთქმედების ხარჯზე, კულონური მიზიდულობის ძალების საშუალებით შესაძლებელია ბირთვული ენერგიით უზრუნველყოფა. განხილულია ნუკლონების პოტენციური ენერგიის გადასვლის პროცესი (პროტონებში ელექტრული დიპოლებისა და მუხტების წარმოქმნის ხარჯზე) ბირთვების კინეტიკურ და რხევით ენერგიაში, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს პლაზმის დამატებითი გახურება.

2.შრომაში ნაჩვენებია, რომ ნუკლონებს შორის კულონური მიზიდულობის ძალები,

ელექტროდიპოლური ურთიერთქმედების ხარჯზე, განაპირობებს წყალბადის წვას და ჰელიუმის ბირთვის სინთეზს. განხილულია ჰელიუმ-3-ის მონაწილეობით წყალბადის წვის ბირთვული რეაქციების სხვადასხვა სქემები. ნაჩვენებია ბირთვული სინთეზის სხვადასხვა რეაქციების ეფექტურობა, რომლებსაც მივყავართ პლაზმის ტემპერატურის თანდათანობით აწევამდე წყალბადის წვის დროს. განხილულია ლითიუმისა და ნიკელის ბირთვების დაბალტემპერატურული სინთეზის პრობლემა. ნაჩვენებია, რომ სინთეზის ბირთვული რეაქციები, რომლებიც იწვევს ახალი იზოტოპის წარმოქმნას, ეგზოთერმულია (სითბური ენერგიის გამოყოფით), ხოლო სინთეზის რეაქციები, ახალი ქიმიური ელემენტის ბირთვის წარმოქმნით - ენდოთერმულია (ენერგიის შთანთქმით).

3. ნაშრომში განხილულია რაჭასა და ქვემო სვანეთში დარიშხანით დაბინძურების საერთო სურათი. შესწავლილია ნიადაგისა და წყლის დაბინძურების ხარისხი. აღწერილია მეორადი დაბინძურების ძირითადი წყაროები და რაოდენობრივად შეფასებულია დარიშხანით გამოწვეული ავადობის რისკები ძლიერი დაბინძურების (ამბროლაურისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტები) და საკონტროლო (ონის მუნიციპალიტეტი) ზონაში. ჩამოყალიბებულია რეკომენდაციებიგარემოზე მავნე ზემოქმედების შესარბილებლად.

4. ნაშრომში მოცემულია ნარჩენების (გამოყენებული ინერტული პოლიმერები და მანგანუმის მოპოვების და გადამუშავების ნარჩენები) მეორადი გამოყენების ინოვაციური ტექნოლოგიის საფუძვლები ზემაღალი სიხშირის გამოსხივების გამოყენებით. აღწერილია და დახასიათებულია შესაბამისი კომბინირებული დანადგარი. შეფასებულია ტექნოლოგიის დანერგვის მოსალოდნელი დადებითი გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ეფექტი.

5. ნაშრომში განხილულია ავტოკლავირების გამოყენებით მანგანუმის, სპილენძის და პირიტის შემცველი ნარჩენების კომპლექსური გადამუშავების ინოვაციური ტექნოლოგიის საფუძვლები. აღწერილია შესაბამისი კომბინირებული პილოტური დანადგარი და დახასიათებულია მიღებული პროდუქციის შესაძლო ხარისხი, მითითებულია ხარისხის ამაღლების გზები.შეფასებლია ტექნოლოგიის დანერგვის მოსალოდნელი დადებითი გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ეფექტი.

6. ნაშრომში დეტალურად არის განხილული მეორადი ნედლეულიდან ლითონური მანგანუმის და მანგანუმშემცველი მრავალკომპონენტიანი შენადნობების მიღების მეთოდები და საშუალებები ზემაღალი სიხშირის გამოსხივების გამოყენებით. დახასიათებულია და შეფასებულია განხილული ტექნოლოგიის და მოწყობილობა-დანადგარების დანერგვის მოსალოდნელი დადებითი გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ეფექტი. ნაშრომში განსაზღვრულია რაჭისა და ქვემო სვანეთის დაბინძურებული ტერიტორიის ნიადაგში დარიშხანის შემცველობა და ამ რეგიონების ეკოლოგიური მდგომარეობა.

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
		„საქართველო 2050“, - საქართველოს განვითარების სტრატეგია.	თბილისი 2015.	
1	ვ. გვახარია	თავი 3. ქვეთავი 3.2. წიაღისეული რესურსების ინდუსტრია		57-75

2	ვ. გვახარია	თავი 3. ქვეთავი 3.12. მეორეული რესურსების ინდუსტრია		196-217
3	ვ. გვახარია	თავი 3. ქვეთავი 13.8. დარგთაშორისი მეცნიერებები და განათლების სისტემა		268-263

ანოტაციები

1. ნაშრომში წარმოდგენილია წიაღისეული რესურსების ინდუსტრიის განვითარების მოკლევადიანი სტრატეგია; ნაჩვენებია წიაღისეულის რაციონალური ათვისების მნიშვნელობა, წიაღისეული რესურსების ინდუსტრიის განვითარების როლი საქართველოს ეკონომიკის მთლიან სისტემაში; აღწერილია წიაღისეული რესურსების ინდუსტრიის დარგები, მათი დღევანდელი მდგომარეობა, აღორძინების გზები და განვითარების პერსპექტივა.
2. ნაშრომში ნაჩვენებია ნარჩენების მართვის სრულყოფილი თანამედროვე სისტემის შექმნის მნიშვნელობა და აუცილებლობა, აღწერილია ნარჩენებთან დაკავშირებული ეკოლოგიური პრობლემები. ნარჩენების ინვენტარიზაციის, კლასიფიკაციის და განთავსების საკითხები; ნაჩვენებია ნარჩენების გადამუშავების „მწვანე ინდუსტრიის“ დანერგვის პერსპექტივა და მოსალოდნელი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები. ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა დარგის განვითარების გზებს და მეცნიერებისა და განათლების როლს ქმედითუნარიანი, სათანადო კვალიფიკაციის სამეცნიერო საინჟინრო კადრების მომზადების საქმეში.
3. ნაშრომში ჩვენი კომპეტენციის საგანს წარმოადგენს ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის მიმართულება, რაც არაერთ სამეცნიერო დარგს მოიცავს და შესაბამისად სათანადო სპეციალისტების მომზადების წინაპირობა მთელი რიგი სხვადასხვა საგნების ცოდნასთან არის დაკავშირებული. ამის გამო, საქართველოში კვალიფიციური კადრების ნაკლებობაა და საჭიროა ამ ვითარების დროული გამოსწორება. ნაშრომში წარმოდგენილია დარგთაშორისი მეცნიერებებისა და განათლების ჰარმონიული განვითარების სტრუქტურული მოდელი.

მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში და სემინარებში:

ბ) საზღვარგარეთ

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	V. Gvakharia, A. Chirakadze	Application of the Eco-Industrial Park (EIP) Concept for Providing of Environment-Friendly and Profitable Industrial Processing of Waste into Gaseous, Liquid and Solid Fuels and other Highly Demanded Marketable Products	June 2, 2015, Steigenberger Hotel Istanbul Maslak, Maslak, Istanbul, Turkey

2	V. Gvakharia, A. Chirakadze	Polymeric Nanoparticles and Nanomaterials for Modern Nanostructures and Nanostructured Composites Using Waste Raw Materials and Energy Produced from Scrap Car Tires and Organic Polymers	June 2, 2015, Steigenberger Hotel Istanbul Maslak, Maslak, Istanbul, Turkey

მოხსენებათა ანოტაციები

1. ნაშრომში შემოთავაზებულია ნარჩენების ფართო ნაირსახეობის გაზისებრ, თხევად და მყარ საწვავად და სხვა მაღალხარისხოვან მოთხოვნად პროდუქციად გადამუშავების სისტემა, რომელიც ეფუძნება ეკო-ინდუსტრიული პარკის კონცეფციას და უზრუნველყოფს მომგებიან და ეკოლოგიური თვალსაზრისით მაღალეფექტურ წარმოებას სააქართველოს სხვადასხვა რეგიონში.
2. ნაშრომში აღწერილია და დახასიათებულია მეორადი (გამოყენებული) ორგანული პოლიმერების და სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების გადამუშავების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით ლითონური ნანონაწილაკების მიღების კომბინირებული ტექნოლოგია. შეფასებულია საქართველოში ტექნოლოგიის დანერგვის პერსპექტივები და მოსალოდნელი დადებითი გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ეფექტი. განხილულია შექმნილი ტექნოლოგიის ბაზაზე „მწვანე“ ნანოინდუსტრიის ჩამოყალიბების შესაძლებლობა.

ინსტიტუტის დირექტორის მ/შ
მეცნიერებათა დოქტორი თ. წუწუნავა

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის
მ/შ აკადემიკოსი ე. გამყრელიძე

განხილულია

ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის
სამეცნიერო საბჭოს 2016 წლის 20 იანვრის სხდომაზე.

ინსტიტუტის დირექტორი
პროფესორი გ. ჯაიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის წლიური სამეცნიერო ანგარიში

2015

0186 თბილისი, უნივერსიტეტის ქ., 2, ტელ.: (+99532) 2303040, ფაქსი: (+99532) 2186645,
ელ. ფოსტა: director.viam@tsu.ge

სარჩევი

	პრეამბულა –	2
*	სამეცნიერო ერთეულის დასახელება – – – – – – – – – – – – –	3
*	სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი – – – – – – – – – – – –	3
*	სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა – – – –	3
1.1.	საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (დასრულებული კვლევითი პროექტების ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები) – – – – – – – – – – – – – – – – –	5
1.2.	(გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტების ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები) – – – – – – —	25
1.3.	სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (დასრულებული პროექტების ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები) – – – – – – – – – — – – – – – – – –	26
1.4.	(გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტიების ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები) – – – – – – – – – – –	31
II.1.	პუბლიკაციები :	
	ა) საქართველოში –	36
	მონოგრაფიები –	36
	სახელმძღვანელოები – – – – – – – – – – – – – – – – – – –	36
	კრებულები –	37
	სტატიები –	37
II.2.	პუბლიკაციები:	
	ბ) უცხოეთში –	47
	მონოგრაფიები –	47
	სახელმძღვანელოები – – – – – – – – – – – – – – – – – – –	48
	კრებულები – —	48
	სტატიები – —	48
III.1.	სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა	
	ა) საქართველოში –	58
	ბ) უცხოეთში –	81

პრეამბულა

ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში (გმი) 2015 წლის მანძილზე სრულდებოდა 14 სამეცნიერო პროექტი (გრანტი) შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხაზით (9 – ფუნდამენტური კვლევებისათვის, 1 – გამოყენებითი კვლევებისათვის, 2 – უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით კვლევებისათვის, 1 – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი კონკურსების ფარგლებში საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნულ ცენტრთან ერთად, 1 – ახალგაზრდა მეცნიერთა სტაჟირებისათვის). ამასთან ერთად, გმი–ში სხვადასხვა ვადის (2-დან 11 თვემდე) შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე დასაქმებული 55 თანამშრომელი (მათ შორის 4 დოქტორანტი, 8 მაგისტრანტი და 3 დამხმარე მუშაკი) ამუშავებდა 52 ინდივიდუალურ სამეცნიერო პროექტს ინსტიტუტის ოთხი ძირითადი სამეცნიერო მიმართულებით:

* უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემები და ანალიზის მონათესავე საკითხები;
* მათემატიკური მოდელირება და გამოთვლითი მათემატიკა;
* დისკრეტული მათემატიკა და ალგორითმების თეორია;
* ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგები აისახა 67 გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომში (33 – საქართველოს, 34 – უცხოეთის გამოცემებში), რომელთაგან 24 გამოიცა იმპაქტ-ფაქტორის (ტომსონის კლასიფიკაციით) მქონე სამეცნიერო ჟურნალებში, აგრეთვე უცხოეთში გამოცემულ 2 სამეცნიერო მონოგრაფიაში. გარდა ამისა, ინსტიტუტის თანამშრომლებმა გამოსცეს 4 სახელმძღვანელო.

გმი-ში ფუნქციონირებს 3 სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია, რომელთა ბაზაზე თსუ-ს ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის 339 სტუდენტმა შეასრულა ლაბორატორიული სამუშაოები.

თსუ-ს 4 დოქტორანტს და 8 მაგისტრანტს ხელმძღვანელობდნენ გმი-ში დასაქმებული მეცნიერი თანამშრომლები.

გმი-ს ბაზაზე ჩატარდა 4 სამეცნიერო შეკრება, რომლებზეც მონაწილეთა შორის იყო ინსტიტუტის 38 თანამშრომელი. გარდა ამისა, გმი–ში დასაქმებული 21 მეცნიერი თანამშრომელი მონაწილეობდა უცხოეთში ჩატარებული 27 სამეცნიერო შეკრების მუშაობაში.

შენიშვნა 1. გარდა გმი-ში დასაქმებული სამეცნიერო ან აკადემიური დოქტორის ხარისხის მქონე 39 მკვლევარისა, გმი-ს ბაზაზე სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწეოდა გმი-დან თსუ-ში კონკურსის წესით არჩეული 8 პროფესორი.

შენიშვნა 2. გმი-ს ბაზაზე მოქმედებს თბილისის საერთაშორისო ცენტრი მათემატიკასა და ინფორმატიკაში (TICMI). მისი სამეცნიერო–ორგანიზაციული მუშაობის ანგარიში იხ. ჟურნალში Bull . TICMI, v.19, № 2, 2015
(http://www.viam.science.tsu.ge/others/ticmi).

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

* ინსტიტუტის დირექტორი,
სამეცნიერო მიმართულების "უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემები და ანალიზის მონათესავე საკითხები" ხელმძღვანელი
ჯაიანი გიორგი ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

დირექტორის მოადგილე
ჩინჩალაძე ნატალია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი

* ინსტიტუტის პერსონალური შემადგენლობა:

მთავარი მეცნიერი თანამშრომლები

სამეცნიერო მიმართულების "მათემატიკური მოდელირება და გამოთვლითი მათემატიკა" თანახელმძღვანელები
გორდეზიანი დავითი ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
ვაშაყმაძე თამაზი ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

სამეცნიერო მიმართულების "დისკრეტული მათემატიკა და ალგორითმების თეორია" ხელმძღვანელი
ხარაზიშვილი ალექსანდრე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი

სამეცნიერო მიმართულების "ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა" თანახელმძღვანელები
ნადარაია ელიზბარი საზოგადოებრივ საწყისებზე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი–კორესპოდენტი,
სოხაძე გრიგოლი ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

უფროსი მეცნიერი თანამშრომლები

გიორგაძე გრიგორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
გოგინავა უშანგი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
თადუმაძე თამაზი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
კალაძე თამაზი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
კაპანაძე გიორგი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
კოპლატაძე რომანი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
მეუნარგია თენგიზი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
ნატროშვილი დავითი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
როგავა ჯემალი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
ფანცულაია გიორგი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
ყაჭიაშვილი ქართლოსი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი
შარიქაძე ჯონდო, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
შულაია დაზმირი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
ჯანგველაძე თემური, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

მეცნიერი თანამშრომლები

ავაზაშვილი	ნიკოლოზი,	სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
ანთიძე	ჯემალი,	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
ახალაია	გიორგი,	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
ბერიაშვილი	მარიამი,	აკადემიური დოქტორი
ბიწაძე	ლამარა,	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
დუნდუა	ბესიკი,	აკადემიური დოქტორი
ზირაქაშვილი	ნათელა,	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
კილურაძე	ზურაბი,	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
კობერიძე	გურამი,	დოქტორანტი
მაისტრენკო	ბორისი,	დოქტორანტი
პაპუკაშვილი	არჩილი,	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
რუხაია	მიხეილი,	აკადემიური დოქტორი
სვანაძე	მაია,	აკადემიური დოქტორი
ტეტუნაშვილი	ალექსანდრე,	აკადემიური დოქტორი
ტყეშელაშვილი	ალექსანდრე,	აკადემიური დოქტორი
ქასრაშვილი	თამარი,	აკადემიური დოქტორი
ჩარგაზია	ხათუნა,	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
ცაგარელი	ივანე,	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
წამალაშვილი	ლუბა,	
ხატიაშვილი	ნინო,	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
ჯანელიძე	თამარი,	დოქტორანტი
ჯანჯღავა	რომანი,	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
ჯიქია	ვალერიანი,	აკადემიური დოქტორი

სპეციალისტები

გაბელაია	მირანდა,	დოქტორანტი
ბარამიძე	ლაშა,	მაგისტრანტი
გოგოლაშვილი	დავითი,	მაგისტრანტი
ვაშაკიძე	ზურაბი,	მაგისტრანტი
თუთბერიძე	მარგარიტა,	მაგისტრანტი
მგელაძე	თინა,	მაგისტრანტი
მჭედლიძე	ნათია,	მაგისტრანტი
შავაძე	თეა,	მაგისტრანტი
შევარდენიძე	გვანცა,	მაგისტრანტი

შენიშვნა

წინამდებარე ანგარიშის I.1., I.2., II.1., II.2. და III.1. განყოფილებებში წარმოდგენილი ინფორმაცია დალაგებულია ინსტიტუტის პერსონალის მოცემული რიგითობის მიხედვით, I.3. და I.4. განყოფილებებში – გრანტის მოპოვების თარიღის ზრდის მიხედვით, ამასთან, თანაავტორობის (თანამომხსენებლობის) შემთხვევებში შესაბამის ჩამონათვალებში ხაზგასმულია ინსტიტუტის თანამშრომელი ავტორები (თანამომხსენებლები).

I. I. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1.	იზოტროპული არაერთგვაროვანი სხეულის ანტიბრტყელი დეფორმაცია (ძვრა) (მათემატიკა; უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემები და ანალიზის მონათესავე საკითხები)	გ. ჯაიანი	გ. ჯაიანი
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	შესწავლილია იზოტროპული არაერთგვაროვანი სხეულის ანტიბრტყელი დეფორმაცია (ძვრა), როდესაც ძვრის მოდული ნული ხდება განსახილველი არის საზღვარზე ან მის ნაწილზე. გამოკვლეულია სასაზღვრო პირობების დასმის თავისებურებები ძვრის მოდულის განულების ყოფაქცევიდან გამომდინარე. სასაზღვრო ამოცანები გადაადგილებებში და ძაბვებში ამოხსნილია კვადრატურებში, როდესაც განსახილავი არე ნახევარსიბრტყეა და ძვრის მოდული საზღვარზე ნული ხდება, როგორც საზღვრის პერპენდიკულარული მიმართულების შესაბამისი ცვლადის ხარისხოვანი ფუნქცია.		

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2.	ცვლადი სისქის პრიზმული გარსების გათვლა ანალიზური მეთოდებით ი. ვეკუას იერარქიული მოდელის საწყის მიახლოებებში (მათემატიკა; უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემები და ანალიზის მონათესავე საკითხები)	ნ. ჩინჩალაძე	ნ. ჩინჩალაძე
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	ი. ვეკუას იერარქიული მოდელების პირველ და N-ურ მიახლოებაში განხილულია წამახვილებული პრიზმული გარსები, რომელთა პირით ზედაპირებზე მოცემულია გადაადგილების ვექტორის ნორმალური და ძაბვის ვექტორის მხები მდგენელები.		

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
3.	პარაბოლური განტოლებებისათვის არალოკალური სასაზღვრო ამოცანების ამოხსნადობის საკითხის გამოკვლევა (მათემატიკა; მათემატიკური მოდელირება და გამოთვლითი მათემატიკა)	დ. გორდეზიანი	დ. გორდეზიანი
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	სამუშაო შეჩერდა საწყის ეტაპზევე, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის დ. გორდეზიანის 2015 წლის 16 მარტს გარდაცვალების გამო.		

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
4.	თერმოდინამიური სტრუქტურების მათემატიკური მოდელირება ორგანზომილებიანი დაზუსტებული თეორიებით პიეზოელექტრული, ელექტროგამტარი და ბლანტი დრეკადი არადამრეცი გარსების შემთხვევაში (მათემატიკა; მათემატიკური მოდელირება და გამოთვლითი მათემატიკა)	თ. ვაშაყმაძე	თ. ვაშაყმაძე
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	დასმულ და გამოკვლეულ იქნა პრობლემა, დაკავშირებული თერმოდინამიური სტრუქტურების არაწრფივ ორგანზომილებიანი სივრცული ცვლადის მიმართ კერძო წარმოებულიან ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებათა სისტემების აგებასთან მრავალფენოვანი თხელკედლოვანი გარემოსათვის დაზუსტებული (ფონ-კარმან-რეისნერ-ნაგდის) ტიპის მმართველი მულტი-პარამეტრიანი მოდელებით. დამტკიცებულ იქნა, რომ მიღებული მოდელი ცალსახად ამოხსნადია, თუ შეშფოთება მცირეა და ადრე აგებული მოდელებისათვის შესაბამის საწყის-სასაზღვრო ამოცანებს აქვს ერთადერთი ამონახსენი.	

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
5.	სიმკვრივისა და რეგრესიის ფუნქციონალების სტატისტიკური შეფასება (მათემატიკა; ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა)	გ. სოხაძე	გ. სოხაძე
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	განხილულია სიმკვრივისა და რეგრესიის ფუნქციონალების სტატისტიკური შეფასების პრობლემები, რომლებიც წარმოიშვება “ჩასმის” ტიპის შეფასების გამოყენებისას. მიღებულია ძალდებულების თეორემები, ასიმპტოტური ნორმალურობისა და განმეორებითი ლოგარითმის თვისებები.		

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
6.	ევკლიდურ სივრცეში მდებარე ზოგიერთი დისკრეტული და არადისკრეტული წერტილოვანი სისტემის სიმრავლურ-თეორიული მახასიათებლების დადგენა; ამავე სივრცის კონკრეტული გეომეტრიული ფიგურებით ერთგვაროვანი დაფარვების აგება და მათთან დაკავშირებული კომბინატორული ინვარიანტების კვლევა (მათემატიკა; დისკრეტული მათემატიკა და ალგორითმების თეორია)	ა. ხარაზიშვილი	ა. ხარაზიშვილი
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	განხილული იყო ევკლიდურ $\mathbf{R}^2$ სიბრტყეში მდებარე არაკოლინეარული სასრული წერტილოვანი სიმრავლით განსაზღვრული მარტივი მრავალკუთხედის აგების		

	ალგორითმის სირთულის შეფასების ამოცანა იმ შემთხვევებში, როდესაც საძიებელ მარტივ მრავალკუთხედს აქვს მთელი რიგი დამატებითი გეომეტრიული თვისებები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმ შემთხვევებს, როდესაც ასაგები მარტივი მრავალკუთხედი არის ამოზნექილი ორდინატთა ღერძის მიმართ ან ვარსკვლავისებური რაიმე წერტილის მიმართ. ამ შემთხვევებში აღწერილი იქნა შესაბამისი ალგორითმები, რომელთა სირთულე ფასდება $O(n\log_2(n))$ სიდიდით, სადაც n აღნიშნავს მოცემული წერტილოვანი სიმრავლის სიმძლავრეს. ანალოგიური ამოცანები შესწავლილი იყო $\mathbf{R}^3$ ევკლიდური სივრცისათვისაც. გამოკვლეული იყო ევკლიდურ სივრცეში მდებარე ე.წ. მკაცრი at-სიმრავლეების კომბინატორული თვისებები. კერძოდ, დადგენილი იყო ასეთი სიმრავლეების მაქსიმალური სიმძლავრის ზრდის რიგი ევკლიდური სივრცის განზომილების მიმართ. ერდოშისა და ფურედის მიერ ეს რთული ამოცანა თავის დროზე გადაწყვეტილი იყო ალბათური მეთოდების გამოყენებით. მათი ეს მიდგომა არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად, ვინაიდან არ იძლევა საკითხის კონსტრუქციულ ან ალგორითმულ გადაწყვეტას. ა. ხარაზიშვილის მიერ შემოთავაზებული იყო წმინდა დეტერმინისტული დამტკიცება იმ ფაქტისა, რომ $\mathbf{R}^n$ სივრცეში მდებარე მკაცრი at-სიმრავლის მაქსიმალური შესაძლო სიმძლავრე არის ექსპონენციალური რიგის n განზომილების მიმართ. უფრო მეტიც, აღნიშნული შედეგი გამოყენებულ იქნა მრავალგანზომილებიანი ამოზნექილი სხეულის განათების ამოცანისადმი. სახელდობრ, დამტკიცდა შემდეგი დებულების მართებულობა: $\mathbf{R}^n$ სივრცეში არსებობს ამოზნექილი კომპაქტური სხეული, რომლის საზღვარს აქვს მხოლოდ სასრული რაოდენობა სინგულარული წერტილებისა და რომლის განათებისათვის აუცილებელია არანაკლებ k(n) რაოდენობა სხივებისა, სადაც k(n) სიდიდის რიგი ექსპონენციალურია n-ის მიმართ. წერტილოვანი სიმრავლეების მეთოდების გამოყენებით შესწავლილი იყო ე.წ. უგულებელყოფადი სიმრავლეები არათვლად კომუტატიურ და ამოხსნად ჯგუფებში (რომელთა კერძო შემთხვევას წარმოადგენს კლასიკური ევკლიდური სივრცე). ამ მიმართულებით მიღებულ იქნა გარკვეული გაგებით პარადოქსალური შედეგი, რომლის თანახმადაც აღნიშნული ტიპის ნებისმიერ G ჯგუფში არსებობს სამი დიზიუნქტური უგულებელყოფადი A, B და C სიმრავლე ისეთი, რომ $G = A \cup B \cup C$. ეს შედეგი იმის მაჩვენებელია, რომ G ჯგუფისათვის არსებობს 1-ერთგვაროვანი დაფარვა, რომლის თითოეული წევრი წარმოადგენს G-ს ძალიან მცირე ქვესიმრავლეს. გარდა ამისა, წინა ტოლობიდან უშუალოდ გამომდინარეობს, რომ როგორიც არ უნდა იყოს G-ზე მოცემული არანულოვანი სიგმა-სასრული ინვარიანტული (ან კვაზი-ინვარიანტული) μ ზომა, აღნიშნული A, B და C სიმრავლეებიდან ორი მაინც აუცილებლად იქნება არაზომადი μ-ს მიმართ.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
7.	რიმანის ზედაპირებზე განსაკუთრებული წერტილების მქონე პირველი რიგის ელიფსური სისტემების გლობალურ ამონახსნთა სივრცის შესწავლა (მათემატიკა; უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემები და ანალიზის მონათესავე საკითხები)	გ. გიორგაძე	გ. გიორგაძე
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	დამტკიცებულ იქნა, რომ თუ რიმანის სფეროზე ელიფსური სისტემის განსაკუთრებულ წერტილთა შორის მანძილები სფეროს თავის თავში ასახვის დროს უცვლელი რჩება,		

	მაშის ეს ასახვა აჩენს იზომორფიზმს ამონასნთა სივრცეებს შორის.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
8.	ფურიეს მწკრივების ლოგარითმული საშუალოების თითქმის ყველგან და ნორმით კრებადობასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა (მათემატიკა; უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემები და ანალიზის მონათესავე საკითხები)	უ. გოგინავა	უ. გოგინავა
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	ფურიეს ჯერადი მწკრივების განზოგადოებული ლოგარითმული საშუალოებისათვის დადგენილია აუცილებელი და საკმარისი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ლოგარითმული საშუალოების ზომით კრებადობას. ასევე შესწავლილია ლოგარითმული საშუალოების ძლიერად თითქმის ყველგან კრებადობის საკითხები		

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
9.	მუდმივი დაგვიანების შემცველი ორსაფეხურიანი ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებისათვის უწყვეტი საწყისი და გადართვის პირობებით, დადგენილ იქნას კავშირი ფუნქციონალის ორ მნიშვნელობას შორის, რომლებიც შეესაბამება თავდაპირ-ველ განტოლებას და საწყისი მონაცემების შეშფოთებით მიღებულ განტოლებას (მათემატიკა; უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემები და ანალიზის მონათესავე საკითხები)	თ. თადუმაძე	თ. თადუმაძე
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	დადგენილია კავშირი მაიერის ტიპის ფუნქციონალის ორ მნიშვნელობას შორის, რომლებიც შეესაბამებიან თავდაპირველი და შეშფოთებული საწყისი მონაცემების შემცველ დაგვიანებულ არგუმენტიან ორსაფეხურიან სამართ ფუნქციონალურ–დიფერენციალურ განტოლებას უწყვეტი საწყისი და გადართვის პირობებით.		

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
10.	ზედა იონოსფეროს სტრუქტურული ტურბულენტობის ფიზიკური მოდელირება (ფიზიკა; მათემატიკური მოდელირება და გამოთვლითი მათემატიკა)	თ. კალაძე	თ. კალაძე
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	მიღებულია ულტრადაბალი სიხშირის ელექტრომაგნიტური როსბი – ხანთაძის პლანეტარული (1000 კმ სიგრძის) ტალღების ზონალურ ნაკადთან არაწრფივი ურთიერ-		

	თქმედების ამსახველი არაწრფივი კერძოწარმოებულიანი განტოლებების სისტემა და ჩატარებულია მათი რიცხვითი გათვლები იონოსფეროს E-შრეში. ნაჩვენებია, რომ არაწრფივი გრიგალური სტრუქტურები ერთგვაროვან ზონალურ ნაკადთან ურთიერთქმედების დროს ინარჩუნებენ მდგრადობას, მაშინ როდესაც წანაცვლებულ ზონალურ ნაკადთან ურთიერთქმედების დროს იშლებიან მცირე ზომის გრიგალურ სტრუქტურებად. ნაჩვენებია არაწრფივ გრიგალებთან დაკავშირებული გარემოს ნივთიერების გადატანისა და მაგნიტური ველის გენერაციის შესაძლებლობა. აღნიშნულია, რომ ზონალური ნაკადი არის გრიგალურ სტრუქტურების ენერგეტიკული მკვებავი. შემოთავაზებულია დედამიწის ლიტოსფეროს სეისმურად ლოკალიზებულ სეგმენტში თვითგენერირებადი ელექტრომაგნიტური გამოსხივების ორიგინალური მოდელი. ასეთი სეგმენტი განხილულია როგორც სეისმური რხევებით დატვირთული განაწილებული სისტემა. მოდელი ამარტივებს არაწრფივი ეფექტების ფიზიკურ ანალიზს და ხარისხობრივად ხსნის ძალიან დაბალი სიხშირის ელექტრომაგნიტური ტალღების გენერაციის მექანიზმს მიწისძვრების წინარე პერიოდში.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
11.	წრეწირითა და მრავალკუთხედით შემოსაზღვრული ორადბმული არისათვის დრეკადობის ბრტყელი თეორიის ამოცანების შესწავლა (მათემატიკა; უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემები და ანალიზის მონათესავე საკითხები)	გ. კაპანაძე	გ. კაპანაძე
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	შესწავლილია დრეკადობის ბრტყელი თეორიის ამოცანა მრავალკუთხა ხვრელის მქონე წრიული არისათვის. ამოცანის ამოსახსნელად გამოყენებულია კონფორმულ ასახვათა და ანალიზურ ფუნქციათა მეთოდები. კერძოდ, კოლოსოვ–მუსხელიშვილის ცნობილ ფორმულებზე დაყრდნობით, განხილული ამოცანა საძიებელი კომპლექსური პოტენციალების მიმართ მიყვანილია რიმან–ჰილბერტის ორ ამოცანაზე წრიული რგოლისათვის და ამ უკანასკნელთა ამოხსნის საფუძველზე, აღნიშნული პოტენციალები აგებულია ეფექტურად (ანალიზური სახით). მოყვანილია ამონახსნების შეფასებები კუთხეების წვეროთა მახლობლობაში. ანალოგიური შედეგები (როგორც კერძო შემთხვევა) მიღებულია წრიული არისათვის სწორხაზოვანი ჭრილით.		

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
12.	მაღალი რიგის დისკრეტული და ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებების ამონახსნების ასიმპტოტური ყოფაქცევის შესწავლა (მათემატიკა; უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემები და ანალიზის მონათესავე საკითხები)	რ. კოპლატაძე	რ. კოპლატაძე
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	შესწავლილ იქნა მონოტონური და არამონოტონური მიმდევრობების ზოგიერთი თვისე-		

	ბა. მაღალი რიგის სხვაობების შემთხვევაში დადგენილ იქნა ახალი ტიპის შეფასებები, კერძოდ, დისკრეტული ფუნქციების შეფასება ქვემოდან მოხერხდა მაღალი რიგის სხვაობების საშუალებით. გარდა ამისა, დაგვიანებულ არგუმენტიანი პირველი რიგის დისკრეტული განტოლებებისათვის დამტკიცებულ იქნა ოპტიმალური ხასიათის თეორემები დადებითი ამოხსნების არსებობის შესახებ, რომლებიც წარმოადგენენ ადრე ცნობილი შედეგების განზოგადოებას. ემდენ-ფაულერის განზოგადოებული დიფერენციალური განტოლებებისათვის შესწავლილ იქნა ამონახსნების ასიმპტოტური ყოფაქცევა უსასრულობის მიდამოში. მიღებულია შედეგები, რომლებიც დამახასიათებელია განზოგადოებული განტოლებებისათვის, მაგრამ არ გააჩნია ანალოგი ემდენ-ფაულერის განტოლების შემთხვევაში.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
13.	არადამრეც გარსთა სხვადასხვა არაწრფივი თეორიების შედარება ცნობილი ამოცანების (მაგალითად, ძაბვის კონცენტრაციის ამოცანა) განხილვის საფუძველზე (მათემატიკა; უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემები და ანალიზის მონათესავე საკითხები)	თ. მეუნარგია	თ. მეუნარგია
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	დამრეცი გარსების წრფივი დაზუსტებული თეორიის აგების ი. ვეკუას მეთოდის გამოყენებით არადამრეცი გარსებისათვის აგებული არაწრფივი თეორია შედარებულ იქნა სხვა ცნობილ თეორიებთან (რეისნერი, მინდლინი, კოიტერ–ნაგდი, ლურიე), რომლებიც ეყრდნობა ამა თუ იმ გეომეტრიულ თუ ფიზიკურ დაშვებას.		

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
14.	განზოგადებული თერმო–ელექტრო–მაგნიტო დრეკადობის თეორიის საწყის–სასაზღვრო ამოცანების ამონახსნების ერთადერთობის თეორემების გამოკვლევა. ლაპლასის გარდაქმნის გამოყენებით მიღებული კომპლექსურ პარამეტრზე დამოკიდებული ელიფსური სისტემისათვის დირიხლეს და ნეიმანის ტიპის ამოცანების ამონახსნების არსებობის და რეგულარობის დებულებების ანალიზი სხვადასხვა ფუნქციურ სივრცეებში (მათემატიკა; უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემები და ანალიზის მონათესავე საკითხები)	დ. ნატროშვილი	დ. ნატროშვილი
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	გამოკვლეულია განზოგადებული თერმო–ელექტრო–მაგნიტო დრეკადობის თეორიის მოდელის შესაბამისი საწყის–სასაზღვრო ამოცანების ამონახსნების ერთადერთობის საკითხი. მოდელი აღიწერება ექვსი საძიებელი ფუნქციის შემცველი ექვსი განტოლებისგან შემდგარი რთული სტრუქტურის კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური		

	განტოლებების სიტემით, რომელიც არ განეკუთვნება განტოლებათა კლასიკურ ტიპებს და რომელშიც ვლინდება სამივე - ელიფსურ-პარაბოლურ-ჰიპერბოლური ტიპის თვისებები. დინამიკის ამოცანებისათვის დადგენილია საწყისი პირობების დასმის ოპტიმალური ვერსია და დამტკიცებულია ამონახსნების ერთადერთობის თეორემები როგორც გლუვ, ისე ნახევრადგლუვ და განზოგადებულ ამონახსნთა სივრცეში. ლაპლასის გარდაქმნის გამოყენებით დირიხლეს და ნეიმანის ტიპის დინამიკის ძირითადი და შერეული ამოცანები დაყვანილია შესაბამისად დირიხლეს, ნეიმანის და შერეული ტიპის ფსევდორხევის სასაზღვრო ამოცანებზე კომპლექსურ პარამეტრზე დამოკიდებული ელიფსური სისტემისათვის. დადგენილია ამოცანების ამონახსნების არსებობა სხვადასხვა ფუნქციურ სივრცეებში და გამოკვლეულია მათი რეგულარობის საკითხი სინგულარობის წირების მიდამოში. ნაჩვენებია, რომ სიგლუვისა და სინგულარობის მაჩვებებლები არსებითადაა დამოკიდებული მატერიალურ პარამეტრებზე.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
15.	ზოგიერთი აბსტრაქტული ევოლუციური განტოლებისთვის კოშის ამოცანის მიახლოებითი ამოხსნის ნახევრადდისკრეტული სქემის აგება და გამოკვლევა (მათემატიკა; მათემატიკური მოდელირება და გამოთვლითი მათემატიკა)	ჯ. როგავა	ჯ. როგავა
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	ჰილბერტის სივრცეში აბსტრაქტული ევოლუციური განტოლებისთვის განხილულია კოშის ამოცანა. ამ ამოცანის აპროქსიმაცია ჩატარებულია არაცხადი ოთხშრიანი ნახევრადდისკრეტული სქემის საშუალებით, რომელიც შეშფოთების ალგორითმის გამოყენებით დაიყვანება ორშრიან სქემებზე. ამ სქემების ამოხსნის გზით იგება გამოსავალი ამოცანის მიახლოებითი ამონახსნი. პირველი სქემის ამონახსნი გვაძლევს მიახლოებით ამონახსნს პირველი რიგის სიზუსტით, ხოლო ყოველი შემდეგი სქემის ამონახსნი აზუსტებს წინას ერთი რიგით. ამოცანის მიახლოებითი ამოხსნის სქემა გამოკვლეულია ასოცირებული პოლინომების მეთოდით.		

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
16.	სხვადასხვა სიმრავლურ–თეორიულ სისტემებში, ერთის მხრივ, ზომის თეორიულ კონცეფციებსა და, მეორეს მხრივ, ალგებრულ და ტოპოლოგიურ სტრუქტურებს შორის კავშირების შესწავლა (მათემატიკა; დისკრეტული მათემატიკა და ალგორითმების თეორია)	გ. ფანცულაია	გ. ფანცულაია
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			

	ნაჩვენებია, რომ სოლოვეის მოდელში სრულდება ორადულობის პრინციპი ზომასა და კატეგორიას შორის შემდეგ წინადადებასთან მიმართებით –"ვექტორ-ფუნციის ყოველი განზოგადოებული ინტეგრალის განსაზღვრის არე არის პირველი კატეგორიის სიმრავლე". R^{∞} სივრცის უსასრულო-განზომილებიანი მართკუთხედის სასრულ ქვესიმრავლეთა ზრდადი უნიფორმულად განაწილებული მიმდევრობების თვისებების გამოყენებით დაფუძნებულია უსასრულო-განზომილებიანი მონტე-კარლოს ინტეგრირება და მიღებულია უსასრულო-განზომილებიანი გაძლიერებული კანონის ტიპის თეორემები. ერთეულოვან ინტერვალზე განსაზღვრული უნიფორმული მიმდევრობების თვისებების გამოყენებით მოცემულია კოლმოგოროვის დიდ რიცხვთა გაძლიერებული კანონის ახალი დამტკიცება, რომელიც არსებითად განსხვავდება კოლმოგოროვისეული დამტკიცებისაგან. ინვარიანტული მეტრიკით აღჭურვილ არალოკალურად კომპაქტურ პოლონურ ჯგუფებზე აგებულია არსებითად ახალი კლასი სტატისტიკური სტრუქტურებისა, რომელთაც გააჩნიათ უცნობი პარამეტრის ობიექტური და ძლიერად ობიექტური ძალდებული შეფასებები. აგებულია სუსტად განცალებადი სტატისტიკური სტრუქტურის ისეთი მაგალითი, რომლისთვისაც ძალდებული შეფასების არსებობის საკითხი გადაუჭრელია (ZF) & (DC) აქსიომათა სისტემაში. მარკოვის ერთგვაროვანი ჯაჭვების თვისებების გამოყენებით გამოთვლილია ბანახის ზომა იმ ნატურალური რიცხვებისა, რომლებიც კოლათსის მოძრაობისას n-ნაბიჯის შემდეგ ხვდებიან ლუწ ნატურალურ რიცხვთა სიმრავლეში. შემუშავებულია მიდგომა, რომელიც იძლევა საშუალებას ნებისმიერი კონტინუუმის სიმძლავრის სიმრავლე აღჭურვილ იქნეს პოლონური ჯგუფის სტრუქტურით და ორმხრივად ინვარიანტული ჰაარის ზომით. ეს მიდგომა იძლევა საშუალებას დადებითად გაეცეს პასუხი მალეკის (2012) შეკითხვაზე – შეიძლება თუ არა, რომ ორ განსხვავებულ ლის ჯგუფს ჰქონდეს ერთი და იგივე ჰაარის ზომა. ნაჩვენებია ასევე, რომ არაატომური ბორელის ალბათური ზომით აღჭურვილ პოლონურ სივრცეზე შესაძლებელია ისეთი ჯგუფური ოპერაციის შემოღება, რომ აღნიშნული ჯგუფისათვის მოცემული ზომა წარმოადგენდეს ჰაარის ალბათურ ზომას.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
17.	სტატისტიკური ჰიპოთეზების შემოწმების პირობითი ბაიესის მეთოდებზე დაფუძნებუ-ლი ახალი მეთოდების შემუშავება და გამოკვლევა რთული ჰიპოთეზებისათვის (მათემატიკა; ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა)	ქ. ყაჭიაშვილი	ქ. ყაჭიაშვილი
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	ნაჩვენებია, რომ სტატისტიკური ჰიპოთეზების შემოწმების პირობითი ბაიესის მეთოდები რთული ჰიპოთეზების შემთხვევაში ისევე ოპტიმალურია, როგორც მარტივი და მრავლობითი ჰიპოთეზების შემთხვევაში პარალელურ და მიმდევრობით ექსპერიმენტებში. კერძოდ, ის უმკლევდება ე.წ. ლინდლის პარადოქსს (როდესაც ნებისმიერი დაკვირვების შედეგისათვის მიიღება ძირითადი ჰიპოთეზა), რომელიც წარმოიქმნება მარტივი ჰიპოთეზის შემოწმებისას რთულ ალტერნატიულ ჰიპოთეზასთან მიმართებაში. პირობითი ბაიესის მეთოდი შედარებულია ბაიესის მეთოდთან კლასიკურ შემთხვევაში და როდესაც აპრიორული ალბათობები შერჩეულია სპეციალური მეთოდით, ლინდლის პარადოქსის გადალახვის მიზანით (შემოთავაზებულია ესპანელი მეცნიერის ბერნანდოს მიერ). ნაჩვენებია პირობითი ბაიესის მეთოდის უპირატე-	

	სობა აღნიშნულ მეთოდებთან შედარებით. თეორიული შედეგების სამართლიანობა გამყარებულია მრავალი პრაქტიკული მაგალითის გამოთვლის შედეგებით.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
18.	არანიუტონისეული სითხის სასაზღვრო ფენის ზოგიერთი ამოცანის გამოკვლევა (მათემატიკა; უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემები და ანალიზის მონათესავე საკითხები)	ჯ. შარიქაძე	ჯ. შარიქაძე
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	განხილულია არანიუტონისეული გამტარი სითხის სასაზღვრო ფენაში მოძრაობის ერთი ავტომოდელური ამოცანა.		

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
19.	გამოსხივების გადატანის წრფივი თეორიით ნაკარნახები ზოგიერთი ამოცანის გამოკვლევა (მათემატიკა; უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემები და ანალიზის მონათესავე საკითხები)	დ. შულაია	დ. შულაია
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	სპექტრალური ანალიზის მეთოდების გამოყენებით დადგენილ იქნა გადატანის წრფივი თეორიიდან წარმოქმნილი ერთი ინტეგრალური განტოლების ამოხსნადობის აუცილებელი და საკმარისი პირობები ჰელდერის სივრცეში. ამ მიზნით ამ ცვლადის მიმართ სინგულარობის ორცვლადიანი ინტეგრალური განტოლების შესწავლის საკითხი დაყვანილ იქნა ფრედჰოლმის მეორე გვარის ერთცვლადიანი ინტეგრალური განტოლების გამოკვლევაზე.		

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
20.	ზოგიერთი არაწრფივი მოდელის გამოკვლევა და რიცხვითი ამოხსნა (მათემატიკა; მათემატიკური მოდელირება და გამოთვლითი მათემატიკა)	თ. ჯანგველაძე	თ. ჯანგველაძე
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	შესწავლილია ზოგიერთი არაწრფივი დიფერენციალური და ინტეგრო-დიფერენციალური მოდელის შესაბამისი საწყის-სასაზღვრო ამოცანების ამონახსნების რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლები. დადგენილია ამონახსნების ასიმპტოტური ყოფაქცევისა და რიცხვითი ამოხსნის საკითხები როგორც ერთგვაროვანი, ისე არაერთგვაროვანი სასაზღვრო პირობებით, დირიხლესა და შერეული სასაზღვრო პირობების შემთხვევაში. განხილული მოდელები წარმოიშვება ისეთი რეალური პროცესების მათემატიკური მოდელირებისას, როგორებიცაა გარემოში ელექტრომაგნიტური ველის გავრცელებისა და მცენარეთა ფოთლებში ძარღვოვანი განვითარების პროცესები. აგებულია შესაბამისი დისკრეტული ანალოგები. დამტკიცებულია მდგრადობისა და კრებადობის თეორემები.		

	განხილულია როგორც ერთგანზომილებიანი, ისე მრავალგანზომილებიანი შემთხვევები. შემუშავებულია სარეალიზაციო ალგორითმები და ჩატარებულია სათანადო რიცხვითი ექსპერიმენტების ანალიზი.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
21.	ტრანსცენდენტალურ წირთა ერთი ოჯახის მექანიკური რეპროდუცირების რეალიზაციის შესახებ (მათემატიკა; უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემები და ანალიზის მონათესავე საკითხები)	ნ. ავაზაშვილი	ნ. ავაზაშვილი
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	ცნობილია, რომ თუ აგებულია გრაფიკი $y = f(x)$ ფუნქციისა, მაშინ გრაფიკი ფუნქციისა $w = f(kx)$, სადაც k მუდმივია, მიიღება $y = f(x)$ ფუნქციის გრაფიკის k–ჯერ თანაბრად „შეკუმშვით“ კოორდინატთა y ღერძის მიმართ. ნაჩვენებია, თუ როგორ შეიძლება განხორციელდეს ამ ფაქტის მექანიკური რეალიზაცია. კერძოდ, რადგან როდესაც $a > 0,\ b > 0$ და $k = \log_b a$, მაშინ $a^x = b^{kx}$, აღნიშნული მექანიზმი, მაგალითად, საშუალებას იძლევა რაიმე მოსაზრებით შერჩეული კონკრეტული ფუძის მქონე მაჩვენებლიანი ფუნქციის გრაფიკით რეპროდუცირებულ იქნეს ნებისმიერი სხვა ფუძის მქონე მაჩვენებლიანი ფუნქციის გრაფიკი.		

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
22.	ლექსიკონის გაფართოება ქართული ტექსტების მართლწერის კომპიუტერული შემოწმებისათვის (მათემატიკა; დისკრეტული მათემატიკა და ალგორითმების თეორია)	ჯ. ანთიძე	ჯ. ანთიძე
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	ლექსიკონი გაფართოებულია ქართული სიტყვების მორფოლოგიური ანალიზისათვის, რაც შემდგომში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქართული ტექსტების მართლწერის კომპიუტერული შემოწმებისათვის. ამასთან, სალექსიკონო ერთეული მოითხოვს სპეციალური ინფორმაციის შეტანას – ამჟამად შეტანილია 1500-მდე სალექსიკონო ერთეული.		

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
23.	სიბრტყეზე პირველი რიგის ზოგადი ელიფსური სისტემების რეგულარულ ამონახსნთა გარკვეულ კლასებში წყვეტილი სასაზღვრო ამოცანების შესწავლა (მათემატიკა; უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემები და ანალიზის მონათესავე საკითხები)	გ. ახალაია	გ. ახალაია

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები	
	შემოყვანილი და შესწავლილია სიბრტყეზე პირველი რიგის ზოგადი ელიფსური სისტემების რეგულარულ ამონახსნთა კლასები, რომლებიც კლასიკური ჰოლომორფულ ფუნქციათა ჰარდის კლასების განზოგადოებას წარმოადგენენ. აღნიშნულ კლასებში დასმული და შესწავლილია რიმან-ჰილბერტის და წრფივი შეუღლების ტიპის წყვეტილი სასაზღვრო ამოცანები. მიღებულია ამ ამოცანათა ნეტერისეულობის პირობები, ცალკეულ შემთხვევებში კი ინდექსის გამოსათვლელი ფორმულები.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
24.	სიმრავლურ-თეორიული აპარატის გამოყენებით ზომის თეორიისა და ტოპოლოგიის ზოგიერთი საკითხის შესწავლა (მათემატიკა; დისკრეტული მათემატიკა და ალგორითმების თეორია)	მ. ბერიაშვილი	მ. ბერიაშვილი
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	წერტილოვან სიმრავლეთა თეორიის აპარატის გამოყენებით შესწავლილ იქნა რამდენიმე პარადოქსალური წერტილოვანი სიმრავლე და დადგენილი იქნა მათი ზოგიერთი თვისება ზომის თეორიისა და ტოპოლოგიის თვალსაზრისით.		

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
25.	დრეკადობის თეორიის სასაზღვრო ამოცანების გამოკვლევა ორმაგი ფოროვნობის მქონე სხეულებისათვის ორი და სამი განზომილების შემთხვევაში (მათემატიკა; უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემები და ანალიზის მონათესავე საკითხები)	ლ. ბიწაძე	ლ. ბიწაძე
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	დრეკადობის თეორიის სტატიკის ორგანზომილებიანი წრფივი თეორიის ორგვარი ფოროვნობის მქონე სხეულების განტოლებებისათვის მიღებულია ზოგადი ამონახსნის წარმოდგენა ჰარმონიული და მეტაჰარმონიული ფუნქციების საშუალებით. კვადრატურებში აგებულია ფუნდამენტურ და სინგულარულ ამონახსნთა მატრიცები. დრეკადობის თეორიის ორგანზომილებიან ბმულ თეორიაში აგებულია მარტივი და ორმაგი ფენის პოტენციალები. ამოხსნილია დირიხლეს და ნეიმანის ტიპის სასაზღვრო ამოცანები წრისათვის, სფეროსათვის, უსასრულო არისათვის წრიული ხვრელით და უსასრულო არისათვის სფერული ღრუთი. ამონახსნები წარმოდგენილია აბსოლუტურად და თანაბრად კრებადი მწკრივების სახით. აგებულია პუასონის ტიპის ფორმულები დრეკადობის ბმული თეორიის სტატიკის დირიხლეს და ნეიმანის ტიპის სასაზღვრო ამოცანებისათვის ორგვარი ფოროვნობის მქონე ნახევარსიბრტყისათვის.		

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
26.	შეკუმშულ მიმდევრობებზე განტოლებების ამოხსნის ალგორითმის კორექტულობის, სისრულისა და გაჩერებადობის საკითხების გამოკვლევა (მათემატიკა; დისკრეტული მათემატიკა და ალგორითმების თეორია)	ბ. დუნდუა	ბ. დუნდუა
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	განისაზღვრა შეკუმშული მიმდევრობებისთვის განტოლებების ამოხსნის პროცედურა და დამტკიცდა ამ პროცედურის კორექტულობის თეორემა. მოიძებნა განტოლებათა ფრაგმენტი, რომლისთვისაც პროცედურა არის გაჩერებადი და აბრუნებს ამონახსნთა სრულ სისტემას.		

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
27.	ელიფსური ცილინდრისა და მისი ნაწილებისათვის დრეკადობის თეორიის ზოგიერთი გამოყენებითი ხასითის სასაზღვრო და სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანის დასმა, ანალიზური და რიცხვითი ამოხსნა და სათანადო კომპიუტერული პროგრამის შედგენა (მათემატიკა; უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემები და ანალიზის მონათესავე საკითხები)	ნ. ზირაქაშვილი	ნ. ზირაქაშვილი
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	აგებულია დრეკადობის თეორიის ზოგიერთი სასაზღვრო და სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანის ანალიზური ამონახსნები ელიფსური ცილინდრისა და მისი ნაწილებისათვის ბრტყელი დეფორმაციის შემთხვევაში, კერძოდ, კონფოკალური ელიფსური რგოლისა და მისი ნაწილებისათვის. მიღებულია კონკრეტული გამოყენებითი ამოცანების ამოხსნის რიცხვითი შედეგები და აგებულია შესაბამისი 2D და 3D გრაფიკები.		

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
28.	ზოგიერთი საწყის-სასაზღვრო ამოცანის ამოხსნის ასიმპტოტური ყოფაქცევის დადგენა და მიახლოებითი ამოხსნა ერთი არაწრფივ ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებათა სისტემისათვის (მათემატიკა; მათემატიკური მოდელირება და გამოთვლითი მათემატიკა)	ზ. კიღურაძე	ზ. კიღურაძე
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	ზოგიერთი არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური მოდელისთვის შესწავლილია შესაბამისი საწყის-სასაზღვრო ამოცანების ამონახსნების ასიმპტოტური ყოფაქცევისა და რიცხვითი ამოხსნის საკითხები როგორც ერთგვაროვანი, ისე არაერთგვაროვანი		

	სასაზღვრო პირობებით. დამტკიცებულია მდგრადობისა და კრებადობის თეორემები. აღნიშნული მოდელები წარმოიშვება ელექტრომაგნიტური ველის გარემოში გავრცელების პროცესის მათემატიკური მოდელირებისას. განხილულია როგორც ერთგანზომილებიანი, ისე მრავალგანზომილებიანი შემთხვევები. შემუშავებულია სარეალიზაციო ალგორითმები და ჩატარებულია სათანადო რიცხვითი ექსპერიმენტების ანალიზი.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
29.	ზოგიერთი წამახვილებული პრიზმული გარსისა და ღეროს გათვლის ანალიზური და რიცხვითი მეთოდები (მათემატიკა; მათემატიკური მოდელირება და გამოთვლითი მათემატიკა)	ჯ. როგავა	გ. კობერიძე (დოქტორანტი)
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	ჰილბერტის სივრცეში განხილულია კოშის ამოცანა მეორე რიგის სრული სახის გადაგვარებული აბსტრაქტული განტოლებისთვის, რომელშიც შემავალი ოპერატორი არის თვითშეუღლებული და დადებითად განსაზღვრული. დასმული ამოცანის მიახლოებითი ამოხსნისთვის აგებულია არაცხადი სამშრიანი ნახევრადდისკრეტული სქემა, რომლის აპროქსიმაციის რიგი არის ორის ტოლი. ამ სქემის გამოკვლევა მიყვანილია ასოცირებული პოლინომების თვისებების შესწავლაზე.		

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
30.	იერარქიული მოდელების საწყის მიახლოებებში, რიცხვითი მეთოდების გამოყენებით, სასაზღვრო ამოცანების შესწავლა, როდესაც პრიზმული გარსის პირით ზედაპირზე მოცემულია ძაბვის ვექტორის კომპონენტები (მათემატიკა; უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემები და ანალიზის მონათესავე საკითხები)	გ. ჯაიანი	ბ. მაისტრენკო (დოქტორანტი)
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები)			
	სამუშაო შეჩერდა საწყის ეტაპზევე, მეცნიერი თანამშრომელის ბ. მაისტრენკოს სხვა სამსახურში გადასვლის გამო მასთან შრომითი ხელშეკრულების 2015 წლის 25 მარტიდან შეწყვეტის შედეგად.		

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
31.	ბზარებით შესუსტებული შედგენილი სხეულებისათვის დრეკადობის ანტიბრტყელი თეორიის ზოგიერთი სასაზღვრო ამოცანის მიახლოებითი ამოხსნა დისკრეტულ განსაკუთრებულობათა მეთოდის გამოყენებით (მათემატიკა; მათემატიკური მოდელირება და გამოთვლითი მათემატიკა)	ა. პაპუკაშვილი	ა. პაპუკაშვილი

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები	
	ბზარებით შესუსტებული შედგენილი სხეულებისთვის დრეკადობის თეორიის ანტიბრტყელი ამოცანები ამოხსნილია ინტეგრალურ განტოლებათა მეთოდით. ამოწერილია ახალი სათვლელი ალგორითმები დისკრეტულ განსაკუთრებულობათა მეთოდის გამოყენებით. ჩატარებულია რიცხვითი გათვლები. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება გაკეთდეს ჰიპოთეტური პროგნოზი ბზარის გავრცელების შესახებ.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
32.	მტკიცებათა სქემატიზაციასთან დაკავშირებული შედეგების არსებული კომპიუტერული რეალიზაციის დახვეწა (მათემატიკა; დისკრეტული მათემატიკა და ალგორითმების თეორია)	მ. რუხაია	მ. რუხაია
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	GAPT სისტემის ბაზაზე განხორციელდა მტკიცებათა სქემებისათვის განკვეთის წესის ელიმინაციის პროცედურის კომპიუტერული რეალიზაციის დახვეწა.		

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
33.	ბინალურ ნარევთა ბლანტი დრეკადობის წრფივი თეორიის მდგრადი რხევის სასაზღვრო ამოცანების გამოკვლევა (მათემატიკა; უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემები და ანალიზის მონათესავე საკითხები)	მ. სვანაძე	მ. სვანაძე
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	სამუშაო შეჩერდა საწყის ეტაპზევე, მეცნიერი თანამშრომელის მ. სვანაძის ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოსტდოქტორანტურაში ჩარიცხვის გამო მასთან შრომითი ხელშეკრულების 2015 წლის 2 მარტიდან შეწყვეტის შედეგად.		

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
34.	ევკლიდურ სივრცეში მდებარე დისკრეტული წერტილოვანი სიმრავლეების თვისებების კვლევა კომბინატორული და სიმრავლურ-თეორიული მეთოდების გამოყენებით (მათემატიკა; დისკრეტული მათემატიკა და ალგორითმების თეორია)	თ. ტეტუნაშვილი	თ. ტეტუნაშვილი
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	შესწავლილია სხვადასხვა ფიგურებით სიმრავლეთა ოჯახების გეომეტრიული რეალიზაციის შესაძლებლობების საკითხები.		

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
35.	გასერ-მიულერის ტიპის რეგრესიის წირის ფუნქციონალების სტატისტიკური შეფასებები (მათემატიკა; ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა)	ა. ტყეშელაშვილი	ა. ტყეშელაშვილი
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	შესწავლილია გასერ-მიულერის რეგრესიის ფუნქციისა და მისი წარმოებულების ინტეგრალური ფუნქციონალის თვისებები, ასიმპტოტურად გადაადგილების, ძალდებულობისა და ასიმპტოტიურად ნორმალურობის საკითხები. შესწავლილია ზოგიერთი ტიპის შემთხვევითკოეფიციენტებიანი დიფერენციალური განტოლებების ამონახსნთა წარმოდგენის და შეფასების საკითხები.		

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
36.	ჩვენება იმისა, რომ არსებობს კოშის ფუნქციონალური განტოლების არატრივიალური ამონახსნი, რომელიც არაზომადია ზომათა ფართო კლასის მიმართ და რომ არსებობს ისეთი ფუნქცია, რომლის გრაფიკი წარმოადგენს მასიურ ნამრავლს ზომის მიმართ (მათემატიკა; დისკრეტული მათემატიკა და ალგორითმების თეორია)	თ. ქასრაშვილი	თ. ქასრაშვილი
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	მიღებულ იქნა შედეგი, რომელიც გარკვეული აზრით განაზოგადებს ფრეშეს ცნობილ შედეგს იმის შესახებ, რომ არსებობს ადიტიური ფუნქცია, რომელიც არაზომადია ლებეგის აზრით.		

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
37.	შიდა გრავიტაციული ტალღების ტრანზიტული ზრდა იონოსფეროში წანაცვლებით ქარებთან ურთიერთობისას (ფიზიკა; მათემატიკური მოდელირება და გამოთვლითი მათემატიკა)	ხ. ჩარგაზია	ხ. ჩარგაზია
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	შესწავლილია შიდა გრავიტაციური ტალღების (შგტ) გაძლიერებისა და ტრანზიენტული ზრდის წრფივი მექანიზმი უწყვეტად სტრატიფიცირებულ იონოსფეროში არაერთგვაროვან ქარებთან უერთიერთქმედებისას. ნაჩვენებია, რომ შგტ-ს გაძლიერება დროის მიხედვით მიმდინარეობს არა ექსპონენციალურად, არამედ ხარისხოვანი წესით.		

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
38.	სასაზღვრო ამოცანების ამოხსნა სხვადასხვა სტრუქტურის ორ და სამგანზომილებიანი დრეკადი სხეულებისათვის (მათემატიკა; უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემები და ანალიზის მონათესავე საკითხები)	ი. ცაგარელი	ი. ცაგარელი
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	განიხილულია დრეკადობის კონსოლიდაციის ბმული თეორიის სტატიკის ამოცანები შერეული სასაზღვრო პირობებით როგორც წრიული არესათვის, ისე სიბრტყისათვის წრიული ხვრელით. აგებულ იქნა შესაბამისი გრინის ფორმულები და დამტკიცდა ამონახსნთა ერთადერთობის თეორემები. კონცენტრული სფეროებით შემოსაზღვრული ბირთვული ფენისათვის ამოხსნილია ფოროდრეკადობის ბმული თეორიის სტატიკის სასაზღვრო ამოცანა. ამოხსნილია ფოროდრეკადობის ბმული თეორიის სტატიკის ძირითადი სასაზღვრო ამოცანები სივრცისათვის სფერული ღრუთი. ამოხსნილია დრეკადობის ბმული თეორიის სასაზღვრო ამოცანები ორგვარი ფორების შემცველი სფეროსათვის. ჩამოთვლილი ამოცანების ამონახსნები აგებულია ცხადად, აბსოლუტურად და თანაბრად კრებადი მწკრივების სახით .		

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
39.	დედამიწის იონოსფეროში სეისმოელექტრომაგნიტური ტალღური მოვლენების გამოკვლევა (ფიზიკა; მათემატიკური მოდელირება და გამოთვლითი მათემატიკა)	ლ. წამალაშვილი	ლ. წამალაშვილი
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	ჩატარებულია შრომატევადი ანალიზური და რიცხვითი გათვლები, დაკავშირებული შეწყვილებული ელექტროსტატიკური დრეიფული და იონურ-აკუსტიკური ტალღებით არაწრფივი გრიგალური და სოლიტონური სტრუქტურებისა და ზონალური ნაკადის გენერაციის შესაძლებლობასთან.		

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
40.	სხვადასხვა ფიზიოლოგიური და ფიზიკური პროცესების მათემატიკური მოდელირება და ამ მოდელების ანალიზი. ზოგიერთი მიკრო-სტრუქტურის ქვანტური თვისებების შესწავლა (მათემატიკა; მათემატიკური მოდელირება და გამოთვლითი მათემატიკა)	ნ. ხატიაშვილი	ნ. ხატიაშვილი
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	გამოკვლეულ იქნა ადამიანის ორგანიზმში წარმოქმნილი სიმსივნის ცილების გავლენა სისხლის მიმოქცევის სიჩქარეზე და შესაბამისად ნივთიერებათა ცვლაზე. დაშვებულია, რომ სისხლის სიჩქარე აკმაყოფილებს ნავიე–სტოქსის გაწრფივებულ განტოლებას.		

	დადგინდა, რომ სისხლის სიბლანტისა და სიმკვრივის ზრდა იწვევს სისხლის ნაკადის სიჩქარის შემცირებას და შესაბამისად ნივთიერებათა ცვლის შეფერხებას, რაც იწვევს ნორმალური უჯრედების სწრაფ კვდომას. ექსპერიმენტულ მონაცემებზე დაყრდნობით მიღებულია რიცხვითი ამოხსნები. შესწავლილია ერთი არაწრფივი ელიფსური განტოლება, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ორგანიზმში კრისტალიზაციის პროცესის დარღვევასთან, კერძოდ, ნაღვლის ბუშტში ბილირუბინის შეგუბებით გამოწვეული კენჭების წარმოქმნის პროცესთან.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
41.	აიკონ მოდელში იკოსაედარულ ბადეზე წრფივი ადვექციის განტოლებისათვის გამოყენებული რიცხვითი სქემების შესაბამისი შეუღლებული რიცხვითი სქემების აგება და მისი გამოყენება მონაცემთა ასიმილაციის ფარგლებში (მათემატიკა; მათემატიკური მოდელირება და გამოთვლითი მათემატიკა)	რ. ბოჭორიშვილი	თ. ჯანელიძე (დოქტორანტი)
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	4-განზომილებიანი ვარიაციული მონაცემთა ასიმილაციის ფარგლებში ჩატარდა რამდენიმე ექსპერიმენტი უკვე აღდგენილი რიცხვითი სქემისა და შესაბამისად აგებული შეუღლებული რიცხვითი სქემის გამოყენებით.		

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
42.	დრეკადობის ბრტყელი თეორიის, ასევე ფირფიტათა ი. ვეკუას დაზუსტებული (N=1 მიახლოება) ზოგიერთი კლასიკური და არაკლასიკური სასაზღვრო ამოცანის მიახლოებითი ამონახსნების აგების ალგორითმების დამუშავება (მათემატიკა; უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემები და ანალიზის მონათესავე საკითხები)	რ. ჯანჯღავა	რ. ჯანჯღავა
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	დამუშავებულია დრეკადობის ბრტყელი თეორიისა და ბრტყელი მომენტური თეორიის ზოგიერთი კლასიკური და არაკლასიკური სასაზღვრო ამოცანის მიახლოებითი ამონახსნის აგების ალგორითმი.		

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
43.	წრფივი შეუღლების სასაზღვრო ამოცანის გამოკვლევა კარლემან-ვეკუას არარეგულარული განტოლებებისათვის (მათემატიკა; უწყვეტ გარემოთა მექანიკის	ვ. ჯიქია	ვ. ჯიქია

	მათემატიკური პრობლემები და ანალიზის მონათესავე საკითხები)		
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	შესწავლილია წრფივი შეუღლების სასაზღვრო ამოცანა კარლემან-ვეკუას არარეგულარული განტოლებებისათვის, რომელთა კოეფიციენტები ეკუთვნის ავტორის მიერ შემოყვანილ საკმარისად ფართო ფუნქციათა კლასებს. გამოკვლეულია ამ ფუნქციათა კლასების თვისებები. აგებულია ამ ამოცანის ზოგადი ამონახსნის წარმოდგენის ფორმულა და დადგენილია ამოხსნადობის აუცილებელი და საკმარისი პირობები.		

სპეციალისტები:

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
44.	წამახვილებული ფირფიტების და ღეროების თეორიაში აღძრული რიგის გადაგვარების მქონე კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებებისა და სისტემების გარკვეული კლასისათვის სასაზღვრო და საწყის-სასაზღვრო ამოცანების გამოკვლევა (მათემატიკა; უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემები და ანალიზის მონათესავე საკითხები)	ნ. ჩინჩალაძე	მ. გაბელაია (დოქტორანტი)
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	ერთი გარკვეული კლასის შემთხვევაში შესწავლილია წამახვილებული ფირფიტების და ღეროების თეორიაში აღძრული რიგის გადაგვარების მქონე კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებებისა და სისტემების სასაზღვრო და საწყის–სასაზღვრო ამოცანები.		

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
45.	ვილენკინის ჯგუფებზე განზოგადოებული სასრული ვარიაციის მქონე ფუნქციების გამოყენება ფურიე-ვილენკინის ჯერადი მწკრივების კრებადობის საკითხებში (მათემატიკა; უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემები და ანალიზის მონათესავე საკითხები)	უ. გოგინავა	ლ. ბარამიძე (მაგისტრანტი)
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	ჯერადი ფურიე–ვილენკინის სისტემებისათვის დადგენილია საკმარისი პირობა, რომელიც უზრუნველყოფს ფურიეს მწკრივების როგორც წერტილში, ისე თანაბრად კრებადობას. განზოგადოებული სასრული ვარიაციის ფუნქციათა კლასებისათვის დამტკიცებულია ფურიე–ვილენკინის მწკრივების კრებადობა.		

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
46.	ბერნულის რეგრესიის არაპარამეტრული	გ. სოხაძე	დ. გოგოლაშვილი

	შეფასება, კერძოდ "წარმატების" მოსვლის ალბათობის შეფასება იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელი დამოკიდებულია სასრულ რაოდენობა დეტერმინისტულ ფაქტორზე (მათემატიკა; ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა)ს		(მაგისტრანტი)
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	დასმულ იქნა ამოცანა ბერნულის რეგრესიის არაპარამეტრული შეფასებისა იმ შემთხვევაში, როდესაც დაკვირვებას ადგილი აქვს სიბრტყეზე. დამუშავებულ იქნა შესაბამისი ლიტერატურა და მიღებულია პირველადი შედეგები შეფასების ძალდებულების შესახებ.		

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
47.	ბზარებით შესუსტებული შედგენილი სხეულებისათვის დრეკადობის თეორიის ანტიბრტყელი ამოცანის მიახლოებითი ამოხსნა დისკრეტულ განსაკუთრებულობათა მეთოდით (მათემატიკა; მათემატიკური მოდელირება და გამოთვლითი მათემატიკა)	ა. პაპუკაშვილი	ზ. ვაშაკიძე (მაგისტრანტი)
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	ბზარებით შესუსტებული შედგენილი სიბრტყის შემთხვევაში დრეკადობის თეორიის ანტიბრტყელი ამოცანების მიახლოებითი ამოხსნისთვის ამოწერილ იქნა ახალი სათვლელი ალგორითმები კოლოკაციის, კერძოდ დისკრეტულ განსაკუთრებულობათა მეთოდის გამოყენებით როგორც თანაბრად, ისე არათანაბრად დაშორებული კვანძების შემთხვევაში. შესრულებულ იქნა გარკვეული რიცხვითი გათვლები და ჩატარდა მიღებული შედეგების ანალიზი.		

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
48.	პრიზმული გარსების იერარქიული მოდელების ნულოვან მიახლოებაში, ნახევარსიბრტყის შემთხვევაში, სასაზღვრო ამოცანის გამოკვლევა, როდესაც გარსის სისქე იცვლება როგორც ერთ ცვლადზე დამოკიდებული უსასრულობაში ქრობადი მაჩვენებლიანი ფუნქცია (მათემატიკა; უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემები და ანალიზის მონათესავე საკითხები)	ნ. ჩინჩალაძე	მ. თუთბერიძე (მაგისტრანტი)
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	განხილულია წამახვილებული ფირფიტა, რომლის სისქე იცვლება კანონით $h = h_0 e^{-ax_2}$, $h_0, a = const > 0$, $x_2 \geq 0$, $-\infty < x_1 < +\infty$. ვეკუას იერარქიული მოდელების ნულოვან მიახლოებაში ამოწერილია წონასწორობის განტოლებათა სისტემა.		

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
49.	განაწილების ფუნქციის სიმკვრივისა და რეგრესიის ფუნქციის გულოვანი შეფასება (მათემატიკა; ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა)	გ. სოხაძე	თ. მგელაძე (მაგისტრანტი)
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	დასმულია ამოცანა განაწილების სიმკვრივის იტერაციული ტიპის შეფასების აგების შესახებ. დამუშავებულია შესაბამისი ლიტერატურა.		

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
50.	პრიზმული გარსების იერარქიული მოდელების ნულოვან მიახლოებაში, ნახევარსიბრტყის შემთხვევაში, სასაზღვრო ამოცანის გამოკვლევა, როდესაც გარსის სისქე იცვლება როგორც ორ ცვლადზე დამოკიდებული უსასრულობაში ქრობადი მაჩვენებლიანი ფუნქცია (მათემატიკა; უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემები და ანალიზის მონათესავე საკითხები)	ნ. ჩინჩალაძე	ნ. მჭედლიძე (მაგისტრანტი)
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	განხილულია წამახვილებული ფირფიტა, რომლის სისქე იცვლება შემდეგი კანონით: $h = h_0 e^{-a(x_1^2 + x_2^2)}, \quad h_0, \quad a = const > 0, \quad -\infty < x_1 < +\infty, \quad x_2 \geq 0.$ ი. ვეკუას იერარქიული მოდელების ნულოვან მიახლოებაში ამოწერილია შესაბამისი წონასწორობის განტოლებები პოლარულ კოორდინატებში.		

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
51.	ამონახსნის ვარიაციის ფორმულა ერთი კლასის სამართი ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებისათვის უწყვეტი საწყისი პირობით (მათემატიკა; უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემები და ანალიზის მონათესავე საკითხები)	თ. თადუმაძე	თ. შავაძე (მაგისტრანტი)
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	მიღებულია ამონახსნის ნაზრდის შეფასება მცირე პარამეტრის მიმართ. გამოთვლილია ნაზრდის მნიშვნელობა საწყის მომენტში. დამტკიცებულია ამონახსნის ვარიაციის ფორმულა საწყისი მომენტის მარცხნიდან ვარიაციის შემთხვევისთვის.		

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
52.	ვილენკინის ჯგუფებზე განზოგადოებული სასრული ვარიაციის მქონე ფუნქციების ცნების გამოყენება ფურიე-ვილენკინის მწკრივების თანაბრად კრებადობის საკით-ხებში (მათემატიკა; უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემები და ანალიზის მონათესავე საკითხები)	უ. გოგინავა	გ. შევარდენიძე (მაგისტრანტი)
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	ვილენკინის ჯგუფებისათვის შემოღებულია განზოგადოებული სასრული ვარიაციის ფუნქციათა კლასის ცნება, რომელიც წარმოადგენს კიტა და იონედას მიერ 1990 წელს შემოღებული კლასის ანალოგს. ასეთი კლასის ფუნქციებისათვის მიღებულია საკმარისი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ფურიე–ვილენკინის მწკრივების თანაბრად კრებადობას.		

I. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
გარდამავალი კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტების შესრულება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის ინსტიტუტში დაგეგმილი არ იყო.		

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1.	შეზღუდვებიანი ლოგიკური პროგრამირება ურანგო თერმებზე და მათ მიმდევრობებზე აღწერის ოპერატორებით (მათემატიკა; დისკრეტული მათემატიკა და ალგორითმების თეორია) (2012-2015)	შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. პროექტი განხორციელდა ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში	თ. კუცია (იოჰან კეპლერის უნივერსიტეტი, ლინცი, ავსტრია), თ. ჯანგველაძე (საქართველოს მხრიდან)	თ. კუცია, თ. ჯანგველაძე, ხ. რუხაია, ლ. ტიბუა, გ. ჭანკვეტაძე, ბ. დუნდუა, გ. მიქანაძე, ს. ფხაკაძე
დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები				
	ჩამოყალიბებულია შეზღუდვების გადაწყვეტადობის და ამოხსნის პროცედურა ურანგო თერმებისთვის და მათი მიმდევრობებისთვის, აღწერის ოპერატორების გარეშე. დამტკიცებულია პროცედურის გაჩერების, კორექტულობის და სისრულის თეორემები.			

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2.	პრაქტიკაში გავრცელებული რთული გეომეტრიის მქონე კონსტრუქციების მოდელირება და გაანგარიშება (მათემატიკა; უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემები და ანალიზის მონათესავე საკითხები) (2013-2015)	შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, თანადამფინანსებელი – ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პროექტი განხორციელდა ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტსა და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტში)	გ. ჯაიანი	გ. ჯაიანი გ. ავალიშვილი მ. ავალიშვილი დ. გორდეზიანი თ. ვაშაყმაძე დ. პატარაია ჯ. როგავა ნ. ჩინჩალაძე დამხმარე პერსონალი: გ. ფურცელაძე რ. მაისურაძე ა.პაპუკაშვილი
დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები				

აგებულია დრეკადი ფენებისაგან შედგენილი რთული გეომეტრიის, შიგა და გარე კუთხეებით, კერძოდ, წამახვილებული, მათ შორის უკუქცევის წერტილებით და წიბოებით, სხეულის ზოგადი დიფერენციალური მოდელი, როდესაც თითოეულ ფენას უკავია ისეთი არე, რომ გამოყენებულ უნდა იქნას შესაბამისად სამი-, ორი- და ერთგანზომილებიანი მოდელები. ამასთან, დადგენილია საკონტაქტო პირობები, სხვადასხვა განზომილებიან არეების გამყოფ ინტერფეისებზე, რომლებიც შეიძლება წარმოადგენდნენ ზედაპირებს, წირებს ან წერტილებს. აგებული და გამოკვლეულია დრეკადი ნაწილებისაგან შედგენილი მულტისტრუქტურების სამგანზომილებიანი სტატიკური და დინამიკური მოდელები, როდესაც ქვესტრუქტურები შედგება ზოგადი არაერთგვაროვანი ანიზოტროპული დრეკადი მასალისაგან და წარმოადგენენ სამგანზომილებიან სხეულებს, ცვლადი სისქის ფირფიტებისაგან შედგენილ ფენოვან სხეულს და ცვლადი კვეთის ღეროებს. ფენოვანი სხეულის გამყოფ ინტერფეისზე მოცემულია გადაადგილების და ძაბვის ვექტორების უწყვეტად გადაბმის პირობები, ხოლო ფენებს და ღეროებს შეიძლება ჰქონდეთ ლიფშიცური წამახვილებები. აგებული და გამოკვეულია სამგანზომილებიანი, ორგანზომილებიანი და ერთგანზომილებიანი სივრცითი არეების ერთობლიობაზე განსაზღვრულ მოდელთა იერარქია. გამოკვლეულია მულტისტრუქტურის იერარქიული მოდელები, როდესაც ის წარმოადგენს ორ სამგანზომილებიან არეს შეერთებულს ვერტიკალური (კაშხალი), კერძოდ წამახვილებული, ფირფიტით ან ჰორიზონტალური (ხიდი) ფირფიტით, რომელიც ეყრდნობა დრეკად ვერტიკალურ ღეროებს. აგებულია მოდელები ფენოვანი (ჰორიზონტალური და ვერტიკალური, საზოგადოდ, მრუდწირული ინტერფეისებით), საზოგადოდ არაერთგვაროვანი, იზოტროპული მულტისტრუქტურისათვის, როდესაც მეორე ფენიდან დაწყებული, ყოველი ფენისთვის იერარქიული მოდელის აგების დროს წინა ფენასთან ინტერფეისზე (ან რაც იგივეა განსახილველი ფენის ე.წ. ზედა პირით ზედაპირზე) ძაბვის და გადაადგილების ვექტორების ან მხოლოდ ძაბვის ვექტორის მნიშვნელობები აღებულია წინა ფენისათვის მიღებული შესაბამისი მნიშვნელობებიდან. ფენებს შეიძლება ჰქონდეს არალიპშიცური წამახვილებებიც. აგებული და გამოკვლეულია ფენოვანი დრეკადი იზოტროპული სტრუქტურის დაძაბულ-დეფორმირებული წონასწორობის განსაზღვრის მოდელი მულტისტრუქტურის ეკვივალენტური ცვლადი სისქის ერთი ფენით შეცვლის გზით. აგებულია გარემოს კონფიგურაციის შესაბამისი არაწრფივ ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებათა სისტემა. განხორციელდა ამ სისტემის აპროქსიმაცია ნაკლებგანზომილებიანი მათემატიკური მოდელებით. რთულმა გეომეტრიამ განაპირობა განსხვავებული განზომილებების ურთიერთშეთანხმებული სასაზღვრო ამოცანების და ინტერფეისის გასწვრივ კორექტული ტრანსმისიის პირობების დასმის აუცილებლობა. აგებულ იქნა მყარი დეფორმირებადი არაერთგვაროვანი ანიზოტროპული ცვლადი სისქის პიეზო–ელექტრული და ელექტრო გამტარი, ფოროვანი, ცოცვადი ბინარული ნარევის შემთხვევაში არასტაციონარული თერმოდრეკადი გარემოსათვის არაწრფივ განტოლებათა სისტემა. ამ სისტემის მთავარი ნაწილიდან უმარტივეს შემთხვევაში იზოტროპული ერთგვაროვანი თხელკედლოვანი სტრუქტურისათვის პარამეტრის შერჩევით მიიღება ცნობილი მოდელები, რომლებიც მექანიკური და გეომეტრიული ხასიათის გამმარტივებელი დაშვებების საფუძველზე, აგებული იყო მრავალ გამოჩენილ მეცნიერთა მიერ; აგებული სისტემის მეორე ნაწილი წარმოადგენს ინტეგრო–დიფერენციალურ ოპერატორს, რომელიც ადრე არ იყო გათვალისწინებული. აგებულია ისეთი ფონ კარმან-რაისნერის ტიპის არაწრფივი მოდელები, რომლებისთვისაც შესაძლებელია ანალიზურ ფუნქციათა თეორიის გამოყენება. საწყისი N=0 და N=1 მიახლოებისათვის აგებული მოდელისათვის დამუშავებულია საწყის-სასაზღვრო ამოცანების ამოხსნის ანალიზური და პროექციული მეთოდები. განხილულია შემთხვევები, როდესაც თხელკედლოვანი სტრუქტურების პროექცია წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის რეგულარულ არეებს (ტრაპეცია, მართკუთხედი, კვადრანტი, ელიფსური, წრიული რგოლი ან მისი ნაწილები), საზოგადოდ, ცვლადი სისქის პიეზო ელექტროგამტარ ან ფორო ან ბლანტ დრეკად ბინარულ ნარევს. შეიქმნა ამ სტუქტურების რიცხვითი გათვლის სქემები და შესაბამისი პროგრამები. დამუშავებულია თეორიული კვლევის

	შედეგად შერჩეული და პრაქტიკაში გამოყენებადი რთული კონფიგურაციის მქონე სხეულების გასაანგარიშებლად განზოგადებული მიდგომა დისკრეტული მოდელით წარმოდგენის საფუძველზე. მომზადდა ღეროს დისკრეტული მოდელის საშუალებით წარმოდგენილი რთული კონფიგურაციის მქონე სხეულების მოდელირებისა და გაანგარიშებისათვის საჭირო მანქანური ალგორითმი და სათვლელი პროგრამა. საფუძვლად აღებულ იქნა ბრტყელი წამახვილებული ფორმის ფიგურა, რომლის სიხისტის პარამეტრები და მოდებული დატვირთვის სახე და სიდიდე შესაძლებელია მარტივად ვცვალოთ დამუშავებული ალგორითმის საშუალებით. აგებულია რთული კონფიგურაციის მქონე და შედგენილი სხეულების დისკრეტული მოდელები, დამუშავებულია მათი გაანგარიშების ალგორითმები და პროგრამები. დისკრეტული წარმოდგენის საფუძველზე მოდელირებისა და გაანგარიშებისათვის დამუშავდა განზოგადებული მიდგომა და ალგორითმი, რომელიც იძლევა შესაძლებლობას შემოთავაზებული ღეროს უნივერსალური მოდელის ბაზაზე შეიქმნას რთული კონფიგურაციის მქონე შედგენილი სხეულების მოდელირებისა და გაანგარიშებისთვის საჭირო უნივერსალური პლატფორმა. დამუშავდა და კონკრეტულ მაგალითებზე მოისინჯა წამახვილებული ფირფიტების, ბაგირებისა და სხვა მსგავსი რთული კონფიგურაციის სხეულების საანგარიშო ალგორითმები და პროგრამები. ჩატარებულია საკონტროლო გათვლები და შედარებითი ანალიზი თეორიული კვლევით და სხვა არსებული რიცხვითი მეთოდებით მიღებულ შედეგებთან. პრაქტიკაში გამოსაყენებლად მომზადებული და ფორმირებულია დამუშავებული ალგორითმები და საანგარიშო პროგრამები. აგებულია რთული გეომეტრიის მქონე ერთგანზომილებიანი მულტისტრუქტურებისათვის დრეკად გარემოთა ურთიერთქმედების იერარქიული მოდელის საწყისი მიახლოების შესაბამისი განტოლებათა სისტემის მიახლოებითი ამოხსნის ალგორითმი ვარიაციული და სასრულ სხვაობიანი მეთოდების საფუძველზე. განხილულია მართი კუთხით მიბჯენილი ორი ღეროსთვის საკონტაქტო-სასაზღვრო და საკონტაქტო-საწყის-სასაზღვრო ამოცანები. გამოკვლეულია შესაბამისი სქემისთვის აპროქსიმაციის, მდგრადობის და კრებადობის საკითხები; ჩატარებულია სიმულაციები კომპიუტერზე. გამოკვლეულია რთული გეომეტრიის მქონე მულტისტრუქტურებისათვის დრეკად გარემოთა ურთიერთქმედების იერარქიული მოდელის საწყისი მიახლოების შესაბამისი განტოლებათა სისტემის მიახლოებითი ამოხსნის იტერაციულ სხვაობიანი სქემის აგებისა და კრებადობის საკითხი. აგებულია რთული გეომეტრიის მქონე ორგანზომილებიანი მულტისტრუქტურებისათვის (დინამიკური შემთხვევისათვის) დრეკად გარემოთა ურთიერთქმედების იერარქიული მოდელის საწყისი მიახლოების შესაბამისი განტოლებათა სისტემის მიახლოებითი ამოხსნის ალგორითმი ვარიაციული და სასრულ სხვაობიანი მეთოდების საფუძველზე. გამოკვლეულია შესაბამისი სქემისთვის აპროქსიმაციის, მდგრადობის და კრებადობის საკითხები. შექმნილია შემდეგი პროგრამული პროდუქტები: სამგანზომილებიანი სხეულისა და ღეროსაგან შედგენილი მულტისტრუქტურის დაძაბული მდგომარეობის გათვლა; ფირფიტისა და ღეროებისაგან შედგენილი მულტისტრუქტურის გათვლა; ორი მართი კუთხით მიბჯენილი ღეროს დაძაბული მდგომარეობის გათვლა; დრეკადი, იზოტროპული ფენოვანი ფირფიტის გათვლა; ჯვრის ფორმის ორგანზომილებიანი სტრუქტურის დაძაბული მდგომარეობის გათვლა; ორი კვადრატული ფირფიტისა და პრიზმული ღეროსაგან შედგენილი მულტისტრუქტურის გათვლა; სამი ღეროსგან შედგენილი ნებისმიერად დატვირთული ბრტყელი ფიგურის გათვლა.

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
3.	საწყისი მონაცემების ოპტიმიზაციის ამოცანები ზოგიერთი კლასის ნეიტრალური უნქციონალურ-	შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. პროექტი განხორციელდა	თ. თადუმაძე	თ. თადუმაძე ნ. გორგოძე

	დიფერენციალური განტოლებებისთვის: ვარიაციის ფორმულები, ოპტიმალურობის აუცილებელი პირობები, არსებობის თეორემები (მათემატიკა; უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემები და ანალიზის მონათესავე საკითხები) (2013-2015)	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტსა და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტში)		
დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები				
	წრფივი ნეიტრალური განტოლების საწყისი მონაცემების ოპტიმიზაციის ამოცანისთვის, თავისუფალი მარჯვენა ბოლოთი და არაწრფივი ფუნქციონალით, მიღებულია ოპტიმალურობის აუცილებელი პირობები. დამუშავებულია ოპტიმალური საწყისი მონაცემების მიახლოებით მოძებნის ალგორითმი. შემოთავაზებულია ორი ტიპის შებრუნებული ამოცანის მიახლოებით ამოხსნის ალგორითმი.			

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
4.	ფუნქციონალურ-დიფერენციალურ და დისკრეტულ განტოლებათა ამონახსნების ასიმპტოტური ყოფაქცევის შესახებ (მათემატიკა; უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემები და ანალიზის მონათესავე საკითხები) (2013-2015)	შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. პროექტი განხორციელდა ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტსა და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტში)	რ. კოპლატაძე	რ. კოპლატაძე
დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები				
	შემუშავებულ იქნა ფუნქციონალურ – დიფერენციალური და დისკრეტული განტოლებების ამო-ნახსნების ასიმპტოტური ყოფაქცევის შესწავლის ახალი მეთოდი, რომელიც ეფუძნება არამონოტონური (მონოტონური) ფუნქციების თვისებების დადგენას, რომლებიც ადრე არ იყო ცნობილი.			

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
5.	მიმდევრობის ცვლადებიანი თერმების თარგების აღრიცხვა (მათემატიკა; დისკრეტული მათემატიკა და ალგორითმების თეორია) (2013-2015)	შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. პროექტი განხორციელდა ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი.ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში	ჯ. ანთიძე	ჯ. ანთიძე, თ.კუცია, ბ. დუნდუა, ი. ქარდავა
დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები				
	მიღებული შედეგები საშუალებას იძლევა ფუნქციონალური დაპროგრამების ნებისმიერი ენის ფუნქციონალური გამოსახულება გაფართოვდეს ცვლადებით, რომლებიც შეიცავენ სასრულ მიმდევრობებს.			

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
6.	ზოგიერთი არაწრფივი კერძოწარმოებულებიანი ინტეგრო–დიფერენციალური განტოლებათა სისტემის გამოკვლევა და რიცხვითი ამოხსნა (მათემატიკა; მათემატიკური მოდელირება და გამოთვლითი მათემატიკა) (2014-2015)	შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. პროექტი განხორციელდა ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში	ზ. კიღურაძე	ზ. კიღურაძე
დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები				
	პარაბოლური ტიპის არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებათა დიფუზიური სისტემებისთვის დასმული საწყის-სასაზღვრო ამოცანებისათვის დადგენილ იქნა ამონახსნთა ასიმპტოტური ყოფაქცევა არაწრფივობის უკვე შესწავლილზე შედარებით ფართო კლასებისთვის. გამოკვლეული იქნა შესაბამისი სხვაობიანი სქემების მდგრადობა და კრებადობა. შეიქმნა პროგრამული პაკეტები და მათი გამოყენებით ჩატარდა რიცხვითი ექსპერიმენტები. განხორციელდა მიღებული რიცხვითი შედეგების ანალიზი და კომპიუტერული ექსპერიმენტების შედარება თეორიულ დასკვნებთან.			

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
7.	ზოგიერთი საწყის-სასაზ-	შ. რუსთაველის ეროვნული	ზ. კიღურაძე	ზ. კიღურაძე

	ღვრო ამოცანის ამონახსნის ასიმპტოტური ყოფაქცევა და მიახლოებითი ამოხსნა ერთი არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებათა სისტემისათვის (მათემატიკა; მათემატიკური მოდელირება და გამოთვლითი მათემატიკა) (2015.07.06 – 2015. 08.31)	სამეცნიერო ფონდი. ახალგაზრდთა მეცნიერთა სტაჟირების გრანტი. სტაჟირება ჩატარდა ჩეხეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ქ. ბრნოს მათემატიკის ინსტიტუტში		
დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები				
	შესწავლილია ერთი არაწრფივი გასაშუალებული დიფუზიური სისტემის როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მახასიათებლები. აღნიშნული სისტემა წარმოიშვება ელექტრომაგნიტური ველის გარემოში გავრცელების პროცესის მათემატიკური მოდელირებისას. შესწავლილია შესაბამისი საწყის-სასაზღვრო ამოცანების ამონახსნების ასიმპტოტური ყოფაქცევის საკითხები. აგებული და გამოკვლეულია მოდელის შესაბამისი სასრულ-სხვაობიანი სქემები. დამტკიცებულია მდგრადობისა და კრებადობის თეორემები. განხილულია მრავალგანზომილებიანი შემთხვევაც. შემუშავებულია სარეალიზაციო ალგორითმები და შექმნილია პროგრამული პაკეტები, რომელთა საშუალებითაც ჩატარებულია მრავალი რიცხვითი ექსპერიმენტი.			

1.4.

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
8.	ზოგიერთი არაწრფივი არასტაციონარული მოდელის გამოკვლევა და რიცხვითი ამოხსნა (მათემატიკა; მათემატიკური მოდელირება და გამოთვლითი მათემატიკა) (2013-2016)	შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. პროექტი ხორციელდება ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტსა და ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტში)	ს. ხარიბეგაშვილი	თ.ჯანგველაძე, ზ. კიღურაძე, ო. ჯოხაძე, ს.ხარიბეგაშვილი
გარდამავალი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები				
	შესწავლილია ჰიპერბოლური ტიპის დიფერენციალური და პარაბოლური ტიპის ინტეგრო-დიფერენციალური არაწრფივი განტოლებებისათვის დასმული სასაზღვრო და საწყის-სასაზღვრო ამოცანების სტრუქტურული, თვისებრივი და რაოდენობრივი მახასიათებლები. დამტკიცებულია დარბუს ამოცანის ლოკალური და გლობალური ამოხსნადობა არაწ-			

	რფივი დისიპაციური $f = g(x,t,u)u_t$ წევრის შემთხვევაში არამახასიათებელ კუთხოვან არეში. დამტკიცებულია ლოკალური ამონახსნის არსებობა ერთი პარაბოლური ტიპის არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური განტოლების საწყის-სასაზღვრო ამოცანისათვის. გამოკვლეულია შერეული სასაზღვრო პირობებიანი ამოცანა არაწრფივი არახარისხოვანი $f = f(u)$ წყაროს წევრის არსებობისას.

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
9.	ელექტრომაგნიტური ამინდის შემქმნელი უდს ტალღური სტრუქტურების გენერაცია, ინტენსიფიკაცია და ურთიერთტრანსფორ-მაცია წანაცვლებითი დინებებით მართულ იონოსფეროში (ფიზიკა; მათემატიკური მოდელირება და გამოთვლითი მათემატიკა) (2013-2016)	შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. პროექტი ხორციელდება ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტსა და მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტში)	ო. ხარშილაძე	ო. ხარშილაძე, ხ. ჩარგაზია, ნ. დიხამინჯია
გარდამავალი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები				
	შესწავლილია არაერთგვაროვანი ფონური ქარებით მართულ იონოსფეროში ზონალური დინების გენერაცია. მიღებულია ჩარნი-ობუხოვის ტიპის განზოგადოებული განტოლება, რომელიც აღწერს ხუთი სხვადასხვა მასშტაბის მქონე მოდების არაწრფივ ურთიერთქმედებას: პირველადი, შედარებით მოკლეტალღოვანი ულტრადაბალი სიხშირის დამაგნიტებული როსბის ტიპის ტალღა, ორი სატელიტი, გრძელტალღოვანი ზონალური მოდა და ფონური წანაცვლებითი დინება (არაერთგვაროვანი ქარი). შესწავლილია არაწრფივი (სკალარული და ვექტორული) ეფექტების როლი სასრული ამპლიტუდის მქონე დამაგნიტებული როსბის ტიპის ტალღების მიერ დიდმასშტაბიანი ზონალური დინებების ფორმირებაში დისიპაციურ იონოსფეროში. შესაბამისი განტოლებათა სისტემის ანალიზის საფუძველზე შეშფოთებათა ამპლიტუდებისათვის გამოვლენილ იქნა შედარებით მცირე მასშტაბიანი ულტრადაბალი სიხშირის დამაგნიტებული როსბის ტალღიდან და ფონური ქარებიდან ენერგიის დიდმასშტაბიან ზონალურ დინებებში გადაქაჩვის ახალი თავისებურებები და ხუთტალღოვანი კოლექტიური აქტივობის არაწრფივი თვითორგანიზაციის მოვლენა იონოსფერულ გარემოში. ზონალური დინების გენერაცია განპირობებულია სასრულ ამპლიტუდიანი დამაგნიტებული როსბის ტალღის რეინოლდსის ძაბვით და ფონური წანაცვლებითი დინების ზემოქმედებით.			

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
10.	მაქსველის განტოლებათა სისტემაზე დაფუძნებული ზოგიერთი არაწრფივი ინტეგრო–დიფერენციალური	შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი და საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული	თ. ჯანგველაძე (საქართველოს მხრიდან)	თ. ჯანგველაძე ზ. კიღურაძე საფრანგეთის

	მოდელის გამოკვლევა და რიცხვითი ამოხსნა (მათემატიკა; მათემატიკური მოდელირება და გამოთვლითი მათემატიკა) (2014-2016)	ცენტრი. პროექტი ხორციელდება ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში	ფ. ჰექტი (საფრანგეთის მხრიდან)	მხრიდან: ფ. ჰექტი ო. პირონო ი. დანაილა
გარდამავალი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები				
	განხილულია მაქსველის განტოლებათა სისტემაზე დაფუძნებული არაწრფივი დიფერენციალური და ინტეგრო-დიფერენციალური მოდელებისათვის დასმული საწყის-სასაზღვრო ამოცანების ამონახსნების თვისებრივი და სტრუქტურული მახასიათებლები. შესწავლილია საწყის-სასაზღვრო ამოცანების ამონახსნების არსებობა, ერთადერთობა და ასიმპტოტური ყოფაქცევა დროითი ცვლადის უსასრულოდ ზრდისას. განხილულია როგორც ერთგანზომილებიანი, ისე მრავალგანზომილებიანი შემთხვევები. აგებული და გამოკვლეულია შესაბამისი დისკრეტული ანალოგები. დამტკიცებულია ალგორითმების კრებადობის თეორემები. აგებულ ალგორითმებზე დაყრდნობით შექმნილია პროგრამული პაკეტები. ჩატარებულია შესაბამისი რიცხვითი ექსპერიმენტები და მათი ანალიზი.			

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
11.	თეორემათა ავტომატური და ინტერაქციული მტკიცება სქემებსა და ურანგო ლოგიკაში (მათემატიკა; დისკრეტული მათემატიკა და ალგორითმების თეორია) (2014-2017)	შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. პროექტი ხორციელდება ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში	მ. რუხაია	მ. რუხაია გ. ჭანკვეტაძე
გარდამავალი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები				
	აგებულ იქნა მტკიცებათა ძებნის ალგორითმები ფორმულათა სქემებისა და ურანგო ლოგიკები-სათვის. განხორციელდა ამ ალგორითმების კომპიუტერული რეალიზაცია.			

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
12.	CLP(HC): საფუძვლები, იმპლანტაცია და გამოყენებები (მათემატიკა; დისკრეტული მათემატიკა და ალგორითმების თეორია) (2015-2017)	შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. პროექტი ხორციელდება ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი	ჯ. ანთიძე	ჯ. ანთიძე, ბ. დუნდუა, ი. ქარდავა

		მათემატიკის ინსტიტუტში		
გარდამავალი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები				
	პროექტი ითვალისწინებს წინა პროექტში (იხ. წინამდებარე წლიური ანგარიშის გვ. 30, პროექტი №5) მიღებული შედეგების პროგრამულ რეალიზაციას კონკრეტული დაპროგრამების ენისათვის (Heskel), რაც იქნება ამ ენის მნიშვნელოვანი გაფართოება.			

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
13.	დამრეცი და არადამრეცი გარსების წრფივი და არაწრფივი თეორიის ზოგიერთი ამოცანა (მათემატიკა; უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემები და ანალიზის მონათესავე საკითხები) (2015-2018)	შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. პროექტი ხორციელდება ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში	თ. მეუნარგია	თ. მეუნარგია, ი. თავხელიძე გ. ახალაია, გ. კაპანაძე, ბ. გულუა, მ. ნარმანია, რ. ჯანჯღავა, მ. თევდორაძე
გარდამავალი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები				
	ი. ვეკუას მიერ შემოთავაზებული იყო წრფივი და დამრეცი გარსების დაზუსტებული თეორიის აგების ზოგადი მეთოდი. ამ მეთოდის გამოყენებით შესაძლებელი გახდა გეომეტრიულად და ფიზიკურად არადამრეცი გარსების არაწრფივი თეორიის განტოლებათა სრული სისტემის მიღება. ი. ვეკუას მიერ შესწავლილი იყო დრეკად გარსებში ე.წ. ნეიტრალური ზედაპირის არსებობის საკითხი, როდესაც ეს ზედაპირი წარმოადგენდა გარსის შუაზედაპირს. მოცემულ ამოცანაში ნეიტრალურ ზედაპირად განიხილება შუა ზედაპირის ეკვიდისტანტური ზედაპირები. განხილულია არადამრეცი გარსები. ი. ვეკუას ნორმირებულ მომენტთა მეთოდის გამოყენებით მიღებულია გარსის პირეულებზე სასაზღვრო პირობებთან შეთანხმებულ ძაბვის ტენზორის მიახლოებითი გამოსახულებები ნებისმიერი ვექტორული ველებისათვის $\vec{u}^{(0)},\ldots,\vec{u}^{(N)}$, რომლებიც წარმოადგენენ საძიებელი $\vec{U}$ ვექტორის მომენტებს. შესწავლილია ტოროიდალური ფორმის გარსული ტიპის სხეული გლუვი ზედაპირით – დაწერილია ზედაპირის ანალიზური წარმოდგენა, შემოღებულია ამგვარ ზედაპირებზე ლოკალურ კოორდინატთა სისტემა, წარმოდგენილია მხები ვექტორები, ნაპოვნია მათი ორთოგონალობის პირობა, კერძო შემთხვევებში ამოწერილია ნორმალის ვექტორის კოორდინატები, დათვლილია პირველი და მეორე კვადრატული ფორმები, გაუსისა და მთავარი სიმრუდეები. შესწავლილია დრეკადობის ბრტყელი თეორიის ამოცანა მართკუთხოვანი ხვრელის მქონე წრიული არისათვის. ამოცანის ამოსახსნელად გამოყენებულია კონფორმულ ასახვათა და ანალიზურ ფუნქციათა თეორიის მეთოდები. დადგენილია ძაბვების კონცენტრაციის სურათი კუთხეების წვეროთა მახლობლობაში. ფირფიტათა წრფივი თეორიის გამოყენებით ამოხსნილია ი. ვეკუას მაღალი მიახლოებისთვის ძაბვების კონცენტრაციის ამოცანები. განხილულია შემთხვევები, როდესაც წრიულ ხვრელში ჩადებულია ან მირჩილულია იმავე რადიუსის ხისტი საყელური. მიღებული			

	შედეგები შედარებულია კლასიკური თეორიის შესაბამის შედეგებთნ. ი. ვეკუას მეთოდით მიღებულია განტოლებათა სრული სისტემა ბინარული ნარევისაგან შედგენილი დამრეცი გარსებისათვის გეომეტრიული არაწრფივობის შემთხვევაში.

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
14.	გადაწერაზე დაფუძნებული გამოყენების კონტროლი (მათემატიკა; დისკრეტული მათემატიკა და ალგორითმების თეორია) (2015-2018)	შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. პროექტი ხორციელდება ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში	თ. კუცია	ხ. რუხაია თ. კუცია ლ. ტიბუა ს. ფხაკაძე
გარდამავალი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები				
	გამოკვლეულია გამოყენების კონტროლის კონცეპტუალური ლოგიკის მოდელის გადაწერის ლოგიკაში ფორმალიზების შესაძლო გზები.			

II. 1 პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.				
ანოტაცია				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	ქ. მანჯგალაძე, გ. სოხაძე, ო. ფურთუხია.	გამოყენებითი სტატისტიკის საფუძვლები	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	344

ანოტაცია

სახელმძღვანელო განკუთვნილია იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც გადიან გამოყენებითი სტატისტიკის კურსს. მისი სხვადასხვა ნაწილები შეიძლება ლექციების კურსად გამოდგეს როგორც მათემატიკური სპეციალობის სტუდენტებისათვის, ისე არამათემატიკური მეცნიერებების შემსწავლელი სტუდენტებისათვისაც.

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2.	გ. ლობჟანიძე, ნ. მჭედლიშვილი, ნ. სხირტლაძე, თ. ჯანგველაძე	პრეკალკულუსი	თბილისი, კავკასიის უნივერსიტეტი	203

ანოტაცია

სახელმძღვანელოში გადმოცემულია არითმეტიკის ძირითადი კანონები, უმარტივეს რიცხვით ფუნქციათა თვისებები, განტოლებათა და უტოლობათა ამოხსნადობასთან დაკავშირებული საკითხები, მათემატიკური ინდუქციის პრინციპი და ლოგიკის საწყისები. თითოეული პარაგრაფის ბოლოს მოცემულია თეორიული კითხვები და პრაქტიკული სავარჯიშოები დამოუკიდებელი მუშაობისათვის.

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
3.	გ. ლობჟანიძე, ნ. მჭედლიშვილი, ნ. სხირტლაძე, თ. ჯანგველაძე	კალკულუსი	თბილისი, კავკასიის უნივერსიტეტი	396

ანოტაცია

სახელმძღვანელო მოიცავს მათემატიკური ანალიზის საკვანძო საკითხებს. წიგნში გადმო-

ცემულ თეორიულ მასალას თან ახლავს არაერთი საილუსტრაციო მაგალითი დეტალური ამოხსნითურთ. თითოეული პარაგრაფის ბოლოს მოცემულია თეორიული კითხვები და პრაქტიკული სავარჯიშოები დამოუკიდებელი მუშაობისათვის.

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
4.	გ. ლობჟანიძე, ნ. მჭედლიშვილი, ნ. სხირტლაძე, თ. ჯანგველაძე	წრფივი ალგებრა	თბილისი, კავკასიის უნივერსიტეტი	154

ანოტაცია

სახელმძღვანელო მოიცავს წრფივი ალგებრის საკვანძო საკითხებს. წიგნში გადმოცემულ თეორიულ მასალას თან ახლავს არაერთი საილუსტრაციო მაგალითი დეტალური ამოხსნითურთ. თითოეული პარაგრაფის ბოლოს მოცემულია თეორიული კითხვები და პრაქტიკული სავარჯიშოები დამოუკიდებელი მუშაობისათვის.

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	თ. ვაშაყმაძე	To Some problems for Thermo-Dynamic Elastic Multilayer Thin-Walled Structures//Proceedings of TICCSAM- 2015	ISBN 978-9941-457-15-9	თბილისი, გამომცემლობა "ნეკერი"	12

ანოტაცია

ფორმულირებულია და გამოკვლეულია ზოგიერთი ღია პრობლემა, დაკავშირებული თხელ-კედლოვანი გარემოს ორფენოვანი და მრავალფენოვანი სტუქტურების შესაბამის არაწრფივ მოდელებთან ელექტროგამტარი ან ფოროვანი ან ბლანტი თერმო-დინამიური დრეკადი ნარევის შემთხვევაში. ამ ტიპის მოდელები შეესაბამება ილია ვეკუას კერძო წარმოებულიან დიფერენციალურ განტოლებათა სისტემას საწყისი N=0,1 მიახლოების შემთხვევაში.

2.	თ. ვაშაყმაძე	პოლინომთა ნამრავლის ოპერაციათა რიცხვის შეფასების ახალი ალგორითმი //საქპატენტი	დეპონირების მოწმობა 6353, 25.09.2015	მცხეთა, საქართველო, საქპატენტი	6

ანოტაცია

განხილულია პოლინომთა ნამრავლის გამოთვლების სირთულის საკითხი. აგებულია ახალი ალგორითმი, რომელიც საჭიროებს (n+1)(n+2)/2 – გამრავლების ოპერაციას. განხილულია შემთხვევაც, როდესაც პოლინომები სხვადასხვა ხარისხისაა და დათვლილია შესაბამისი საჭირო რაოდენობა გამრავლების ოპერაციისა.

3.	ე. ნადარაია, გ. სოხაძე	On Functionals of a Density// Proceedings of A. Razmadze Mathematical Institute	168 (2015)	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	11

ანოტაცია

განხილულია ალბათური განაწილების სიმკვრივის ზოგადი ფუნქციონალი. ფუნქციონალური სივრცის ტერმინებში მოცემულია ასეთი ფუნქციონალის შეფასების პროცედურა. დამტკიცებულია ძალდებულებისა და ასიმპტოტური ნორმალურობის თვისებები.

4.	დ. გოგოლაშვილი, ა. ტყეშელაშვილი, გ. სოხაძე.	On a Representation of the Solutions of a Second-Order Differential Equations with Random Coefficients// Reports of Enlarged Session of the Seminar of I. Vekua Institute of Applied Mathematics	29 (2015)	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	7

ანოტაცია

განხილულია მეორე რიგის ჩველებრივი წრფივი დიფერენციალური განტოლებები შემთხვევითი კოეფიციენტებით. ნაჩვენებია, რომ გარკვეულ ბუნებრივ პირობებში, ასეთი განტოლების ამონახსნი წარმოდგება, როგორც დალეცკი-სკოროხოდის განზოგადოებული სტოხასტური ინტეგრალი.

5.	ტ. ბუაძე, ზ. ხეჩინაშვილი, გ. სოხაძე	On a Fernique-Skorokhod type Integrals// Reports of Enlarged Session of the Seminar of I. Vekua Institute of Applied Mathematics	29 (2015)	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	6

ანოტაცია

ცხადი სახით გამოთვლილია ერთი სპეციალური ტიპის ინტეგრალი. ეს ინტეგრალი ხშირად გვხვდება სტოქასტურ ანალიზში და კარგადაა ცნობილი ფერნიკისა და სკოროხოდის შეფასებები მისთვის.

6.	პ. ბაბილუა, ე. ნადარაია, გ. სოხაძე. .	About Functionals of Gasser-Muller Estimators//Reports of Enlarged Session of the Seminar of I.Vekua Institute of Applied Mathematics	29 (2015)	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	11

ანოტაცია

გამოკვლეულია გასერ-მიულერის ტიპის რეგრესიის ფუნქციის ინტეგრალური ფუნქციონალების შეფასების საკითხი. მიღებულია "ჩასმის" ტიპის შეფასების ასიმპტოტური შეფასებები და კრებადობის რიგი.

7.	ა. ხარაზიშვილი	A partition of an uncountable solvable group into three negligible subsets// Bulletin of TICMI	19, no. 1 (2015)	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	7

ანოტაცია

წერტილოვანი სიმრავლეების მეთოდების გამოყენებით შესწავლილია ე.წ. უგულებელყოფადი სიმრავლეები არათვლად კომუტატიურ და ამოხსნად ჯგუფებში.

8.	ჰ. დვალიშვილი, ნ. გორგოძე, თ. თადუმაძე.	Variation formulas of solution for neutral functional-differential equations with regard for the delay function perturbation and the continuous initial condition// Mem. Differential Equations Math.Phys.	64 (2015)	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	6

ანოტაცია

მიღებულია ამონახსნის ვარიაციის წრფივი წარმოდგენები (ვარიაციის ფორმულები) საწყისი მონაცემების შეშფოთებების მიმართ.

9.	ჰ. დვალიშვილი, თ. თადუმაძე.	On the well-posedness of the Cauchy problem for differential equations with distributed prehistory considering delay function perturbations//Proc. of A. Razmadze Ins. of Math.	169 (2015)	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	17

ანოტაცია

დამტკიცებულია თეორემები ამონახსნის უწყვეტობის შესახებ საწყისი მონაცემებისა და მარჯვენა მხარის შეშფოთებების მიმართ.

10.	თ. თადუმაძე	Inverse problem about transition in a fixed point for linear neutral functional differential equations//Sem.I.Vekua Inst. Appl. Math. Rep.	41 (2015)	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	4

ანოტაცია

მოყვანილია წერტილში გადასვლის შებრუნებული ამოცანის მიახლოებით ამოხსნის ალგორითმი.

11.	თ. თადუმაძე, ა. ნაშავი	On the representations of sensitivity coefficients for nonlinear delay functional differential equations with the discontinuous initial condition// International Workshop on the Qualitative Theory of Differential Equations	(http://www.rmi.ge/eng/QUALITDE-2015/workshop_2015.htm)	ელექტრონული ვერსია	4
ანოტაცია უწყვეტი საწყის ფუნქციებისა და ზომადი მართვების კლასში მიღებულია სენსიტიურობის კოეფიციენტის წრფივი წარმოდგენა საწყისი მონაცემების შეშფოთებების მიმართ.					
12.	გ. კაპანაძე	On one problem of the plane theory of elasticity for a circular domain with a rectangular hole //Proceedings of A. Razmadze Mathematical Institute	168 (2015)	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	10
ანოტაცია შესწავლილია დრეკადობის ბრტყელი თეორიის ამოცანა მართკუთხოვანი ხვრელის მქონე წრიული არისათვის. ამოცანის ამოსახსნელად გამოყენებულია კონფორმულ ასახვათა და ანალიზურ ფუნქციათა თეორიის მეთოდები. დადგენილია ძაბვების კონცენტრაციის სურათი კუთხეების წვეროთა მახლობლობაში.					
13.	თ. მეუნარგია	Neutral surfaces of a non-shallow shells//Reports of Enlarged Sessions of the Seminar of I. Vekua Institute of Applied Mathematics	29 (2015)	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	4
ანოტაცია ილია ვეკუას მიერ შესწავლილი იყო დრეკად გარსებში ე.წ. ნეიტრალური ზედაპირის არსებობის საკითხი, როცა ეს ზედაპირი წარმოადგენდა გარსის შუაზედაპირს. მოცემულ ამოცანაში ნეიტრალურ ზედაპირად განიხილება შუა ზედაპირის ეკვიდისტანტური ზედაპირები.					
14.	თ. მეუნარგია	Generalization of I. Vekua reduction method for Physically and geometrically non-linear and Non-shallow shells//Applied Mathematics, Informatics and Mechanics	20, no.1 (2015)	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	11

ანოტაცია

ილია ვეკუას მიერ შემოთავაზებული იყო წრფივი და დამრეცი გარსების დაზუსტებული თეორიის აგების ზოგადი მეთოდი. ამ მეთოდის გამოყენებით შესაძლებელი გახდა გეომეტრიულად და ფიზიკურად არადამრეცი გარსების არაწრფივი თეორიის განტოლებათა სრული სისტემის მიღება.

15.	ო. ჭკადუა, დ. ნატროშვილი	Localized boundary-domain integral equations approach for Robin type problem of the theory of piezo-elasticity for in–homogeneous solids// Memoirs on Differential Equations and Mathe–matical Physics	65 (2015)	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	45

ანოტაცია

ნაშრომში შესწავლილია დრეკადობის სამგამზომილებიანი თეორიის რობინის ტიპის ამოცანა არაერთგვაროვანი პიეზოელექტრული სხეულებისათვის, როდესაც მატერიალური პარამეტრები სივრცული ცვლადის ფუნქციებია. გამოკვლეულია ამონახსნის ერთადერთობის საკითხი და დამტკიცებულია ამონახსნის არსებობის თეორემა სობოლევ-სლობოდეცკის ფუნქციურ სივრცეებში განზოგდებული სასაზღვრო-სივრცული ინტეგრალური განტოლებების მეთოდით, რომელიც ეფუძნება ვიშიკ-ესკინის თეორიას.

16.	გ. ფანცულაია	Solovay model and duality principle between the measure and the baire category in polish topological vector space H(X,s, μ) //Reports of Enlarged Session of the Seminar of I. Vekua Institute of Applied Mathematics	29 (2015)	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	4

ანოტაცია

სოლოვეის მოდელში ნაჩვენებია, რომ სრულდება ორადულობის პრინციპი ზომასა და კატეგორიას შორის შემდეგ წინადადებასთან მიმართებით – ”ვექტორ-ფუნციის ყოველი განზოგადოებული ინტეგრალის განსაზღვრის არე არის პირველი კატეგორიის სიმრავლე”.

17.	გ. ფანცულაია, თ. ქირია.	On statistical structures in a polish non-locally-compact group admitting an invariant metric// Proceedings of A. Razmadze Mathematical Institute	168 (2015)	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	11

ანოტაცია

ინვარიანტული მეტრიკით აღჭურვილ პოლონურ არალოკალურად-კომპაქტურ ჯგუფებზე აგებულია არსებითად ახალი კლასი სტატისტიკური სტრუქტურებისა, რომელთაც

გააჩნიათ უცნობი პარამეტრის ობიექტური და ძლიერად ობიექტური ძალდებული შეფასებები. აგებულია სუსტად განცალებადი სტატისტიკური სტრუქტურის ისეთი მაგალითი, რომლისთვისაც ძალდებული შეფასების არსებობის საკითხი გადაუჭრელია (ZF) & (DC) აქსიომათა სისტემაში.

18.	დ. შულაია, დ.გულუა, მ. ბიბილური	On one Singular In- teg-ral Equation Arising from the Radiative Transfer Rheory// Bull-etin of the Georgian Na-tional Academy of Sciences	9, no. 1 (2015)	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა	6

ანოტაცია

ნაშრომში შესწავლილია გამოსხივების გადატანის თეორიიდან წარმოქმნილი ერთი ინტეგრალური განტოლების ამოხსნადობის აუცილებელი და საკმარისი პირობები ჰელდერის კლასში.

19.	თ. ჯანგველაძე	On Two Systems of Nonlinear Partial Diff-erential Equations// Reports of Enlarged Sessions of the Semi-nar of I. Vekua Institu-te of Applied Mathe-matics	29 (2015)	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	4

ანოტაცია

განხილულია ორი ტიპის არაწრფივი კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებათა სისტემა. შესწავლილია საწყის-სასაზღვრო ამოცანის ამონახსნის ზოგიერთი თვისება და მიახლოებითი ამოხსნა.

20.	თ. ჯანგველაძე	Investigation and App-roximate Resolution of One Nonlinear Integro-Differential Parabolic Equation//Abstracts of International Workshop on Qualitative Theory of Differential Equa-tions	(http://www.rmi.ge/eng/QUALITDE-2015/workshop_2015.htm)	ელექტრონული ვერსია	4

ანოტაცია

პარაბოლური ტიპის ერთი არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებისათვის შესწავლილია საწყის-სასაზღვრო ამოცანის ცალსახად ამოხსნადობა და შესაბამისი ნახევრად-დისკრეტული და სხვაობიანი სქემების კრებადობა.

21.	თ. ჯანგველაძე	Long-Time Behavior of Solution and SemiDis-crete Scheme for One Nonlinear Parabolic Integro-Differential Equation// Proc. A. Razmadze Math. Inst.	168 (2015)	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	13

ანოტაცია

ერთი არაწრფივი პარაბოლური ტიპის ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებისთვის შესწავლილია ნახევრად-დისკრეტული სქემა და ამონახსნის ასიმპტოტური ყოფაქცევა დროითი ცვლადის უსასრულოდ ზრდისას. განხილულია საწყის-სასაზღვრო ამოცანა შერეული სასაზღვრო პირობებით. ყურადღება გამახვილებულია ადრე შესწავლილზე უფრო ფართო კლასის არაწრფივობის შემთხვევაზე. განხილული მოდელი დაფუძნებულია მაქსველის განტოლებათა სისტემაზე, რომლის საშუალებითაც აღიწერება გარემოში ელექტრომაგნიტური ველის გავრცელების პროცესი.

22.	ჯ. ანთიძე	One approach on programming of some large volume projects// Proceedings of TICCSAM-2015	ISBN 978-9941-457-15-9	თბილისი, გამომცემლობა ”ნეკერი”	4

ანოტაცია

შემოთავაზებულია ახალი მიდგომა დიდი მოცულობის პროექტების და პროგრამებისათვის. იგი მნიშვნელოვნად ამარტივებს ზოგიერთი დიდი მოცულობის პროექტების დაპროგრამებას, როგორიცაა, მაგალითად, ბუნებრივი ენების კომპიუტერული მოდელირება.

23.	ი. ცაგარელი, ლ. ბიწაძე	Solutions of BVPs in the fully Coupled Theory of Elasticity for a Sphere with Double Porosity// Bulletin of TICMI	19, no. 1 (2015)	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	10

ანოტაცია

ნაშრომში ცხადად, აბსოლუტურად და თანაბრად კრებადი მწკრივების სახით, ამოხსნილია დრეკადობის ბმული თეორიის სტატიკის დირიხლეს და ნეიმანის ტიპის სასაზღვრო ამოცანები ორგვარი ფოროვნობის მქონე სფეროსათვის.

24.	ლ. ბიწაძე	The Boundary Value Problems of the fully Coupled Theory of Elasticity for Solids with Double Porosity for Half-plane//Seminar of I.Vekua Institute of Applied Mathematics, Reports	41 (2015)	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	12

ანოტაცია

ნაშრომში, ფურიეს მეთოდის გამოყენებით, ორგვარი ფოროვნობის მქონე ნახევარსიბრტყისათვის ამოხსნილია დრეკადობის ბმული თეორიის ძირითადი სასაზღვრო ამოცანები კვადრატურებში.

25.	ლ. ბიწაძე	Fundamental Solution in the Fully Coupled Theory of elasticity for Solids with Double Porosity //Seminar of I.Vekua Institute of Applied Mathematics, Reports	41 (2015)	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	14

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია დრეკადობის ბრტყელი ბმული თეორიის განტოლებები ორგვარი ფორო-ვნობის მქონე სხეულებისათვის. მიღებულია ამონახსნის ფუნდამენტური და სინგულარული მატრიცები, აგებულია მოცულობითი, მარტივი და ორმაგი ფენის პოტენციალები.

26.	ნ.ზირაქაშვილი	Formulation of fictitious load method in system polar coordinate for elasticity problems// Reports of Enlarged Sessions of the Seminar of I. Vekua Institute of Applied Mathematics	29 (2015)	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	4

ანოტაცია

სტატიაში დრეკადობის თეორიის სასაზღვრო და სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანების ამოსახსნელად ფორმულირებულია სასაზღვრო ელემენტთა მეთოდი, კერძოდ ფიქტიური დატირთვის მეთოდი, პოლარულ კოორდინატთა სისტემის საკოორდინატო ღერძებით შემოსაზღვრული არისათვის. რიცხვითი ამონახსნი იგება მარტივი სინგულარული ამოცანის წინასწარ მიღებული ისეთი ანალიზური ამონახსნის საფუძველზე, რომელიც კონტურის ყოველ ელემენტზე აკმაყოფილებს მოცემულ სასაზღვრო პირობებს.

27.	ზ. კიღურაძე, მ. კრაწაშვილი	On One Two-Dimensional Model Based on Maxwell System// Reports of Enlarged Sessions of the Seminar of I. Vekua Institute of Applied Mathematics	29 (2015)	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	4

ანოტაცია

განხილულია ერთი ორგანზომილებიანი არაწრფივი კერძოწარმოებულებიანი ინტეგრო-დიერენციალური განტოლება. შესწავლილია დირიხლეს საწყის-სასაზღვრო ამოცანა ერთგვაროვანი სასაზღვრო პირობებით. გამოკვლეულია ამონახსნის ასიმპტოტური ყოფაქცევა დროითი ცვლადის უსასრულო ზრდისას. დადგენილია სტაბილიზაციის რიგი.

28.	ზ. კიღურაძე, მ. კრაწაშვილი	On One Two-Dimensional Nonlinear Integro-Differential Equations// Abstracts of International Workshop on Qualitative Theory of Differential Equations	QUALITDE-2015(ISSN 1512-3391)	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	4

ანოტაცია

განხილულია ერთი ორგანზომილებიანი კერძოწარმოებულებიანი გასაშუალებული ინტეგრო-დიფერენციალური განტოლება, რომელიც აღწერს ელექტრომაგნიტური ველის გარემოში გავრცელების პროცესს. გამოკვლეულია შესაბამისი საწყის-სასაზღვრო ამოცანის ამონახსნის ასიმპტოტური ყოფაქცევა როდესაც $t \to \infty$. დადგენილია სტაბილიზაციის რიგები სხვადასხვა ფუნქციონალურ სივრცეებში.

29.	ა. პაპუკაშვილი, ჯ. როგავა, ზ. ვაშაკიძე	On one numerical method of research of the stress-deformed condition of some multy-structures with difficult geometry// Proceedings of TICCSAM-2015	ISBN 978-9941-457-15-9	თბილისი, გამომცემლობა ”ნეკერი”	7

ანოტაცია

ნაშრომში რიცხვითი მეთოდებით შესწავლილია რთული გეომეტრიის მქონე ზოგიერთი „ხიდის ფორმის“ მულტისტრუქტურის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა. გამოწერილია სათვლელი ალგორითმები, შექმნილია პროგრამული საშუალებები პროგრამათა სისტემა Matlab -ში და ჩატარებულია რიცხვითი ექსპერიმენტები.

30.	თ. შავაძე	On estimation of the increment of solution for a controlled functional differential equation considering delay parameter perturbation //Sem. I. Vekua Inst. Appl. Math. Rep.	41 (2015)	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	4

ანოტაცია

დადგენილია ამონახსნის ნაზრდის რიგი მცირე პარამეტრის მიმართ. ნაზრდის მნიშვნელობა გამოთვლილია საწყის მომენტში.

31.	ნ. ხატიაშვილი, ვ. ახობაძე, ქ. ფირუმოვა, ი. ხატიაშვილი	სიმსივნური ცილების გავლენა სისხლის ნაკადზე//ი. ვეკუას სახელბის გმი სემინარის გაფართოებული სხდომების მოხსენებები	29 (2015)	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	4

ანოტაცია

ნაშრომში გამოკვლეულია სიმსივნის უჯრედების და პროტეინების რაოდენობის გავლენა სისხლის ნაკადზე მცირე არტერიოლებში. სიმსივნური ცილები ცვლიან სისხლის სიბლანტეს და სიმკვრივეს. ნაჩვენებია, რომ როდესაც ეს პარამეტრები იზრდება, ჟანგბადის მოხმარება კლებულობს.

32.	ნ. ხატიაშვილი, ვ. ახობაძე, ქ. ფირუმოვა	ადამიანის ორგანიზმში კრისტალიზაციის პროცესთან დაკავშირებული ზოგიერთი ათოლოგიის შესახებ//ი.ვეკუას სახელობის გმი სემინარის გაფართოებული სხდომების მოხსენებები	29 (2015)	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	4

ანოტაცია

ნაშრომში მოცემულია ნაღვლის ბუშტში კენჭების ფორმირების მათემატიკური მოდელი.

პროცესი აღწერილია რეაქცია–დიფუზიის არაწრფივი განტოლებით შესაბამისი საწყის – სასაზღვრო პირობებით. ამონახსნები მიღებულია ცხადი სახით. მოყვანილია რიცხვითი მაგალითები.

33.	<u>ნ. ხატიაშვილი,</u> ვ. ახობაძე, დ. გამრეკელი	ქვანტური ბიოფიზიკის რამდენიმე ასპექტის შესახებ//ი. ვეკუას სახელობის გმი სემინარის გაფართოებული სხდომების მოხსენებები	29 (2015)	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	4

ანოტაცია

ნაშრომში მათემატიკური მოდელირების თვალსაზრისით განხილულია თავისუფალი რადიკალების ოქსიდაციის პროცესი ცოცხალ ორგანიზმში. პროცესი აღიწერება სემიონოვის არაწრფივი განტოლებით შესაბამისი საწყისი პირობებით. ერთგანზომილებიან შემთხვევაში მიღებულია ზუსტი ამონახსნები. მოცემულია რიცხვითი მაგალითები.

II.2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	Kachiashvili K.J., Melikdzhanian D.I., Prangishvili A.I.	Computing Algorithms for Solutions of Prob–lems in Applied Mathe–matics and Their Stan–dard Program Realiza–tion.Part 1-Deterministic Mathematics, Part 2-Stochastic Mathematics	Nova Science Publishers, Inc., New York	730

ანოტაცია

მრავალ სახელმძღვანელოში და საცნობარო წიგნში მოცემულია გამოთვლითი მათემატიკის ალგორითმები, რომლებიც გათვალისწინებულია ხელით გამოთვლებისათვის კალკულატორზე. მონოგრაფიაში არის მოცემული ავტორების მიერ მრავალი წლის მანძილზე შექმნილი ეკონომიური, ოპტიმალური და მაღალი სიზუსტის ალგორითმები კომპიუტერზე რეალიზაციისათვის. მოცემულია აგრეთვე ამ ალგორითმების პროგრამული რეალიზაცია პროცედურების სახით. I ნაწილში მოცემულია ალგორითმები მათემატიკის შემდეგი დარგებიდან: წრფივი ალგებრა, მწკრივები და პოლინომები, არაწრფივი განტოლებები და ექსტრემუმები, ფუნქციების ინტერპოლაცია და აპროქსიმაცია, დიფერენცირება და ინტეგრება, ფუნქციების გამოთვლა, დიფერენციალური განტოლებების ამოხსნა, რიცხვითი მეთოდები გეომეტრიაში. II ნაწილში მოცემულია ალგორითმები მათემატიკის შემდეგი დარგებიდან: ალბათობის თეორია და მათემათიკური სტატისტიკა, ზოგიერთი დამატებითი პრობლემა, ფორმულების გამოყვანა და თეორემების დამტკიცება, ფორმულებისა და ალგორითმების პროგრამული რეალიზაცია.

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2.	T. Jangveladze, Z. Kiguradze, B. Neta	Numerical Solution of Three Classes of Nonlinear Parabolic Integro-Differential Equations.	Elsevier, ACADEMIC PRESS, ISBN: 978-0-12-804628-9	254

ანოტაცია

მონოგრაფია ეძღვნება ზოგიერთი ტიპის არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური მოდელის რიცხვითი ამოხსნის საკითხებს. მოცემულია განხილული მოდელების შესაბამისი საწყის-სასაზღვრო ამოცანების ზოგიერთი თვისება. აგებულია და გამოკვლეულია მიახლოებითი ამონახსნის მოძებნის ალგორითმები. ჩატარებულია რიცხვითი ექსპერიმენტების შედეგების ანალიზი და მოყვანილია შესაბამისი ცხრილები და გრაფიკული ილუსტრაციები. ყოველი თავის ბოლოს მოცემულია კომენტარები და ბიბლიოგრაფიული მითითებები მონოგრაფიაში განხილული და მსგავსი მოდელების კვლევების შედეგების შესახებ.

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.				
ანოტაცია				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.				
ანოტაცია				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	G. Jaiani	A model of layered pri–smatic shells// Conti–nuum Mechanics and Thermodynamics	Online First/ DOI 10.1007/ s00161-015-0414-9, 2015	Springer	20
ანოტაცია სტატია ეძღვნება ფენოვანი პრიზმული გარსების ერთ მოდელს, აგებულს სტატიაში შემოთავაზებული მიდგომით, რომელიც არსებითად განსხვავდება ფენოვანი და ლამინირებული სტრუქტურების მოდელების აგების ცნობილი მიდგომებისგან. ი. ვეკუას განზომილების რედუქციის მეთოდის მოდიფიცირებით აგებულია ფენოვანი პრიზმული გარსების იერარქიული მოდელები. აგებული მოდელის უპირატესობა ისაა, რომ სასაზღვრო ამოცანები იხსნება თითოეული ფენისათვის ცალ–ცალკე, ამასთან, მეორე ფენიდან დაწყებული გამოყენებულია წინა ფენისათვის მიღებული ამონახსნი. მაგალითისათვის, განხილულია კერძო სახის დეფორმაცია და შესაბამისი სასაზღვრო ამოცანა ამოხსნილია ცხადი სახით.					
2.	G. Jaiani	Differential Hierarchical Models for Elastic Pris–matic Shells with Micro–temperatures// ZAMM–Z. Angew. Math. Mech.	v. 95 (1), 2015, DOI 10.1002/ zamm.201300016	WILEY-VCH Verlag GmbH & Co. KGaA, Weinheim	28
ანოტაცია ი. ვეკუას განზომილების რედუქციის მეთოდის გამოყენებით აგებულია იერარქიული მოდელები ერთგვაროვანი, იზოტროპული ცვლადი სისქის პრიზმული გარსებისათვის მიკროტემპერატურით. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული წამახვილებულ პრიზმულ გარსებზე.					

3.	G. Jaiani, L. Bitsadze	On basic problems for elastic prismatic shells with microtemperatu–res// ZAMM - Z. Angew. Math. Mech.	DOI 10.1002/ zamm.201400172, 2015	WILEY-VCH Verlag GmbH & Co. KGaA, Weinheim	8

ანოტაცია

იერარქიული მოდელების ნულოვან მიახლოებაში განხილულია ერთგვაროვანი იზოტრო-პული მუდმივი სისქის, მაგრამ, საზოგადოდ, გაღუნული პირითი ზედაპირებით, პრიზმული გარსი მიკროტემპერატურით. ძირითადი სასაზღვრო ამოცანებისათვის დამტკიცებულია არსებობის და ერთადერთობის თეორემები საზღვრად ჩაკეტილი კონტურის მქონე შემოსაზ-ღვრული და შემოუსაზღვრავი არეების შემთხვევაში. მითითებულია სასაზღვრო ამოცანების ცხადად და რიცხვითი მეთოდებით ამოხსნის გზები.

4.	N. Chinchaladze	On a Mathematical Prob-lem of Cusped Double-Layered Plates// PAMM	15, Issue 1 (2015)	WILEY-VCH Verlag GmbH & Co. KGaA, Weinheim http://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1002/pamm.v15.1/issuetoc	2

ანოტაცია

ნაშრომი ეძღვნება ისეთი გადაგვარებულ კერძოწარმოებულიან განტოლებათა სისტემის გამოკვლევას, რომელიც მიიღება დრეკადი ორფენოვანი წამახვილებული პრიზმული გარსების შესწავლისას.

5.	Dochviri B., Tkemaladze G., Sokhadze G.	A New Approach to the Estimation of the Para–meters of the Michaelis-Menten Equation// Open Journal of Biochemistry	2, no 1 (2015)	UK Scientific Online Publishing	7

ანოტაცია

მოცემულია მიხაელის-მენტენის განტოლება უცნობი კოეფიციენტებით. განხილულია ამ კოეფიციენტების საუკეთესო შეფასების ამოცანა. მიღებული პროცედურა აუმჯობესებს ყველა, აქამდე ცნობილ, მიდგომას.

6.	Бабилуа П., Надарая Э., Сохадзе Г.	Об интегральной ква–дратической мере рас–хождения двух ядер–ных оценок Бернулли–евских функций регре–ссии//Ukrainian Mathe–matical Journal	67, Issue 1 (2015)	Ukraine, Institute of Mathematics	15

ანოტაცია

ბერნულის ტიპის რეგრესიის ფუნქციის ორი გულოვანი შეფასებისათვის გამოკვლეულია ამ შეფასებათა ინტეგრალური კვადრატული გადახრის ასიმპტოტური შეფასებები და

მათი გამოყენებები ჰიპოთეზების შემოწმებისათვის.					
7.	Arabidze D., Babilua P., Nadaraya E., Sokhadze G., Tkeshelashvili A.	Integral Functionals of the Gasser-Muller Regression Function// Ukrainian Mathematical Journal	67, Issue 4 (2015)	Ukraine, Institute of Mathematics	11
ანოტაცია შესწავლილია გასერ-მიულერის ტიპის რეგრესიის ფუნქციის ინტეგრალური ფუნქციონალების ასიმპტოტური თვისებები, იმ შემთვევისათვის, როცა გამოიყენება "ჩასმის" ტიპის შეფასება.					
8.	Babilua P., Nadaraya E., Sokhadze G.	On Limit Properties of Maximal Likelihood Estimators in a Hilbert Space // Georgian Mathematical Journal	22, Issue 2 (2015)	Germany, De Gruyter	7
ანოტაცია უსასრულგანზომილებიან ჰილბერტის სივრცეში განხილულია მაქსიმალური დასაჯერობის შეფასების ასიმპტოტური თვისებები. ე.წ. "რეგულარობის" პირობებში დამტკიცებულია შეფასების ძალდებულება და ასიმპტოტურად ნორმალურობა.					
9.	G. Gat, U. Goginava	Almost Everywhere Strong Summability of Double Walsh-Fourier Series// Journal of Contemporary Mathematical Analysis	50, 1 (2015)	Allerton Press	14
ანოტაცია დამტკიცებულია, რომ ორმაგი ფურიე-უოლშის მწკრივების მარცინკიევიჩის ძლიერი საშუალოები მაჩვენებლით 2 თითქმის ყველგან კრებადია.					
10.	K. Kachiashvili	Constrained Bayesian Method for Testing Multiple Hypotheses in Sequential Experiments// *Sequential Analysis*: Design Methods and Applications	34, Issue 2, DOI: 10.1080/07474946.2015.1030973	Taylor & Francis Group, London, UK	15
ანოტაცია მრავლობითი ჰიპოთეზების შემოწმების მიმდევრობითი მეთოდი, დაფუძნებული პირობითი ბაიესის მეთოდზე, არის დამუშავებული. ის აკონტროლებს ოჯახური ტიპის პირველი და მეორე ტიპის შეცდომებს უფრო ზუსტად, ვიდრე ბონფერონის, ურთიერთ კვეთის ან სხვა არსებული მეთოდები. ახალი მეთოდი აღემატება არსებულ მეთოდებს იმით, რომ ის მნიშვნელოვნად მცირე დაკვირვების შედეგებს საჭიროებს იგივე სიმძლავრის გადაწყვეტილებების მისაღებად.					
11.	K. Kachiashvili, D.Melikdzhanian	Software for statistical hypotheses testing// International Journal of Modern Sciences and	2, Issue 4 (2015), ISSN 2349-3755	Inc, Scottsdale, Arizona,U.S.A	19

		Engineering Technology *(IJMSET)*. Available at https://www.ijmset.com/current-issue.html			

ანოტაცია

დამუშავებულია ორიგინალური, მარტივი და გამოსაყენებლად მოსახერხებელი პროგრამული პაკეტი სტატისტიკური ჰიპოთეზების შესამოწმებლად. ის არის შექმნილი გამოყენებითი სტატისტიკაში და კომპიუტერულ ტექნიკაში არაპროფესიონალი მომხმარებლისათვის. აღწერილია პაკეტის თავისებურებები, რომლებიც მას განასხვავებენ არსებული სხვა ანალოგიური პაკეტებისაგან. მოცემულია პრაქტიკული მაგალითების გამოთვლის შედეგები, რომლებიც აჩვენებენ პაკეტში რეალიზებული ალგორითმების და მეთოდების ორიგინალურობას და ეფექტურობას.

12.	S. Futatani, W. Horton, L.Z. Kahlon, T.D. Kaladze	Rossby-Khantadze electromagnetic planetary waves driven by sheared zonal winds in the E-layer ionosphere // Physics of Plasmas	1 (2015)	AIP Publishing	7

ანოტაცია

ჩატარებულია ელექტრომაგნიტური როსბი – ხანთაძის პლანეტარული ტალღების ზონალურ ნაკადთან არაწრფივი ურთიერთქმედების რიცხვითი გათვლები სუსტად იონიზებულ იონოსფეროს E-შრეში. ნაჩვენებია, რომ არაწრფივი გრიგალური სტრუქტურები ერთგვაროვან ზონალურ ნაკადთან ურთიერთქმედების დროს ინარჩუნებენ მდგრადობას, მაშინ როცა წანაცვლებული ზონალური ნაკადის ურთიერთქმედების დროს იშლებიან მცირე ზომის გრიგალურ სტრუქტურებად. ნაჩვენებია გრიგალებთან დაკავშირებული გარემოს ნივთიერების გადატანისა და მაგნიტური ველის გენერაციის შესაძლებლობა. ნაშრომი აღნიშნავს, რომ ზონალური ნაკადი არის გრიგალურ სტრუქტურების ენერგეტიკული მკვებავი.

13.	L.Z. Kahlon, T.D. Kaladze	Generation of zonal flow and magnetic field in the ionospheric E-layer// Journal of Plasma Physics	5 (2015)	Cambridge University Press	12

ანოტაცია

მიმოხილულია ზონალური ნაკადისა და მაგნიტური ველის გენერაცია შეწყვილებული ელექტრომაგნიტური ულტრადაბალი სიხშირის ტალღებით დედამიწის იონოსფეროს E-შრეში. განხილული და შესწავლილია შეწყვილებული შიდა გრავიტაციული – ალფვენის, როსბი – ხანთაძისა და როსბი – ალფვენი – ხანთაძის ტალღების გავრცელების შესაძლებლობა. მიღებულია ამ ტალღების ზონალურ ნაკადთან არაწრფივი ურთიერთქმედების შესაბამისი კერძოწარმოებულიანი განტოლებები. ნაჩვენებია ასეთი მოკლეტალღოვანი ტურბულენტობის არამდგრადობა შედარებით გრძელტალღოვანი ზონალური ნაკადისა და მაგნიტური ველის გენერაციის მიმართ. ურთიერთქმედების არაწრფივი მექანიზმი ეფუძნება სამი ტალღის პარამეტრულ არამდგრადობას, რასაც მივყევართ ენერგიის გადაქაჩვისაკენ გრძელტალღოვანი არის მიმართულებით. ნაჩვენებია ინტენსიური მაგნიტური ველის გენერაციის შესაძლებლობა.

14.	M.K. Kachakhidze, N.K. Kachakhidze, T.D. Kaladze	A model of the generation of electromagnetic emissions detected prior to eart-	85-86 (2015)	ELSEVIER	4

		hquakes // Physics and Chemistry of the Earth			

ანოტაცია

ნაშრომში შემოთავაზებულია დედამიწის ლიტოსფეროს სეისმურად ლოკალიზებულ სეგმენტში თვითგენერირებადი ელექტრომაგნიტური გამოსხივების ორიგინალური მოდელი. ასეთი სეგმენტი განხილულია როგორც სეისმური რხევებით დატვირთული განაწილებული სისტემა. მოდელი ამარტივებს არაწრფივი ეფექტების ფიზიკურ ანალიზს და ხარისხობრივად ხსნის ძალიან დაბალი სიხშირის ელექტრომაგნიტური ტალღების გენერაციის მექანიზმს მიწისძვრების წინარე პერიოდში.

15.	R. Koplatadze	The specific properties of solutions of first order differential equations with several delay arguments// J. Contemporary Math. Anal.	50, No. 5 (2015)	Germany Springer	8

ანოტაცია

პირველი რიგის დაგვიანებულ არგუმენტებიანი დიფერენციალური განტოლების ამოხსნებისათვის დამტკიცებულია რხევადობის ოპტიმალური საკმარისი პირობები. მიღებული შედეგები სპეციფიურია დაგვიანებულ არგუმენტებიანი განტოლებებისათვის და არ გააჩნია ანალოგი ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლების შემთხვევაში.

16.	R. Koplatadze, G. Infante, I. Stavroulakis	Oscillation criteria for differential equations with several non-monotone arguments//Funkcialaj Ekvacioj	53, No. 3 (2015)	Japan	14

ანოტაცია

დაგვიანებულ არგუმენტებიანი დიფერენციალური განტოლებისათვის შესწავლილია ამონახსნების ასიმპტოტური ყოფაქცევა უსასრულობის მიდამოში.

17.	R. Koplatadze, A.Domoshnitski	On higher order generalized Emden-Fowler differential equation with delay argument //Nonlinear Oscillations	18, No. 4 (2015)	Germany Springer	20

ანოტაცია

განხილულია მაღალი რიგის დაგვიანებულ არგუმენტიანი ემდენ-ფაულერის განზოგადოებული დიფერენციალური განტოლება. დადგენილია უსასრულობაში ქრობადი, შემოსაზღვრელი და რხევადი ამოხსნების არსებობა. გარდა ამისა ნაჩვენებია, რომ ზოგიერთი მიღებული შედეგი სპეციფიურია განზოგადოებული დიფერენციალური განტოლებისათვის.

18.	C. E. Athanasiadis, D. Natroshvili, V. Sevroglou, I. G. Stratis	Mixed impedance transmission problems for vib-rating layered elastic bodies. //Mathematical Methods in the Applied Sciences.	wileyonlinelibrary.com DOI: 10.1002/mma.3295, 2015	Wiley	31

ანოტაცია

ტალღათა გაბნევის სამგანზომილებიანი ამოცანები ნაწილობრივ შეფუთული უბნობრივ

ერთგვაროვანი და არაერთგვაროვანი დრეკადი ფენოვანი სხეულებისათვის დაიყვანება შერეულ იმპედანსურ ტრანსმიის ამოცანებზე მდგრადი რხევის განტოლებებისათვის. უბნობრივ ერთგვაროვანი იზოტროპული სხეულებისათის, პოტენციალთა მეთოდის გამოყენებით ეს ამოცანები დაყვანლია ეკვივალენტურ ფსევდოდიფერენციალურ განტლებათა სისტემაზე. დეტალურადაა გამოკვლეული შესაბამისი ფსევდოდიფერენციალური ოპერატორების თვისებები და დამტკიცებულია მათი შებრუნებადობა რხევის პარამეტრის ნებისმიერი მნიშვნელობისათვის, რაც არსებითია შექცეული ამოცანების შესწავლაში. სტატიაში გამოკვლეულია ასევე ამონახსნების სიგლუვის თვისებები სინგულარობის წირების მახლობლობაში და დადგენლია თითქმის საუკეთესო ჰელდერის სიგლუვე. ეს სიგლუვის მაჩვენებელი ფაქტობრივად განსაზღვრავს ძაბვების სინგულარობის მაჩვენებლებს. აღმოჩნდა, რომ ეს მაჩვენებლები არსებითადაა დამოკიდებული სხეულის მატერიალურ პარამეტრებზე.

19.	C.E. Athanasiadi, <u>D. Natroshvili</u>, V. Sevroglou, I. G. Stratis	A Mixed Impedance Scattering Problem for Partially Coated Obstacles in Two-Dimensional Linear ElasTicity// In: Integral Methods in Science and Engineering	Integral Methods in Science and Engineering, Theoretical and Computational Advances, C .Constanda, A. Kirsch, Eds.,Birkauser, Heidelberg-New York-Dordrecht-Lindin, 2015	Birkauser, Heidelberg-New York-ordrecht-Lindin	13

ანოტაცია

ნაშრომში შესწავლილია ჰარმონიული ტლღების გაბნევის ორგანზომილებიანი პირდაპირი და შებრუნებული ამოცანები ნაწილობრივ შეფუთული უბნობრივ ერთგვაროვანი დრეკადი ფენოვანი სხეულებისათვის. პირდაპირი ამოცანისათვის დამტკიცებულია ამონახსნის ერთადერთობის, არსებობის და რეგულარობის საკითხები. შემდეგ გამოკვლეულია შებრუნებული ამოცანის ამონახსნის ერთადერთობა. კერძოდ, დამტკიცებულია, რომ შეუღწევადი ნაწილობრივ შეფუთული სხეულის გეომტრიული ფორმა და საკონტაქტო ზედაპირები ცალსახად შეიძლება განისაზღვროს ტალღის კვალით. დამტკიცება ემყარება ბრტყელი ტალღებისა და წერტილოვანი წყაროებისათვის გმოყვანილ ინტეგრალურ თანაფარდობებს. ნაშრომში საილუსტრაციოდ განხილულია ორფენოვანი სხეული, თუმცა იგივე მეთოდი შეიძლება გამოყენებული იყოს მრვალფენიანი და ასევე სამგანზომილებიანი სხეულებისათვის.

20.	M.Kintsurashvili, T. Kinia, <u>G. Pantsulaia</u>	On objective and strong objective consistent estimates of unknown parameters for statistical structures in a Polish group admitting an invariant met-ric// Journal of Statistics: Advances in Theory and Applications	13, No. 2 (2015)	Scientific Advances Publishers 71/52 Bhusoli Tola Khuldabad Allahabad 211 006 (INDIA)	15

ანოტაცია

ინვარიანტული მეტრიკით აღჭურვილ პოლონურ არალოკალურად კომპაქტურ ჯგუფებზე აგებულია არსებითად ახალი კლასი სტატისტიკური სტრუქტურებისა, რომელთაც გააჩნიათ უცნობი პარამეტრის ობიექტური და ძლიერად ობიექტური ძალდებული შეფასებები. აგებულია სუსტად განცალებადი სტატისტიკური სტრუქტურის ისეთი მაგალითი, რომლისთვისაც ძალდებული შეფასების არსებობის საკითხი გადაუჭრელია (ZF) & (DC) აქსიომათა სისტემაში. აგებულია ობიექტური და ძლიერად ობიექტური ძალდებული შეფასებების მქონე

სტატისტიკური სტრუქტურების მაგალითები კომპაქტურ პოლონურ $\{0,1\}^{\infty}$ ჯგუფში.					
21.	G. Pantsulaia	Infinite-Dimensional Mon-te-Carlo Integration// Monte Carlo Methods and Applications	ISSN (Online) 1569-3961, ISSN Print 0929-9629, DOI: 10.1515/mcma-2015-108, 21, Issue 4 (2015)	Walter de Gruyter GmbH Genthiner Strasse 13 D-10785 Berlin, Germany	17
ანოტაცია R^{∞} სივრცის უსასრულოგანზომილებიანი მართკუთხედის სასრულ ქვესიმრავლეთა ზრდადი უნიფორმულად განაწილებული მიმდევრობების თვისებების გამოყენებით დაფუძნებულია უსასრულოგანზომილებიანი მონტე-კარლოს ინტეგრირება და მიღებულია უსასრულოგანზომილებიანი გაძლიერებული კანონის ტიპის თეორემები. ერთეულოვან ინტერვალზე განსაზღვრული უნიფორმული მიმდევრობების თვისებების გამოყენებით მოცემულია კოლმოგოროვის დიდ რიცხვთა გაძლიერებული კანონის ახალი დამტკიცება.					
22.	G. Pantsulaia	On structure of uniformly distributed sequences in [−1/2,1/2] from the point of view of shyness	http://arxiv.org/abs/1506.07009	Cornely University Library, USA	11
ანოტაცია $[-1/2,1/2]$ ინტერვალზე უნიფორმულად განაწილებული მიმდევრობების სტრუქტურა შესწავლილია ჰაარის ნულ სიმრავლის თვალსაზრისით და დადგენილია, რომ ის წარმოადგენს ჰაარის ნულ სიმრავლეს R^{∞} სივრცეში. ასევე ნაჩვენებია, რომ სოლოვეის მოდელში, $[-1/2,1/2]$ ინტერვალზე უნიფორმულად (მოდულით 1) განაწილებული მიმდევრობები წარმოადგენენ ჰაარის ნულ სიმრავლის დამატებას R^{∞} სივრცეში.					
23.	D. Shulaia	On One Two-Dimensional Linear Integral Equation with a Coefficient that has Zeros// Journal of Mathematical Sciences	208, Issue 6 (2015)	USA Springer	12
ანოტაცია ნაშრომში შეისწავლება ჰელდერის ფუნქციათა კლასში ორგანზომილებიანი წრფივი ინტეგრალური განტოლება, რომლის კოეფიციენტს გააჩნია მარტივი ნული. სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიის გამოყენებით მიიღება განტოლების ამოხსნადობის აუცილებელი და საკმარისი პირობები.					
24.	D. Shulaia, P. Ghurtskaia	On One Linear Integral Equation with a Coefficient that has Zeros // Journal of Mathematical Sciences	208, Issue 6 (20150	USA Springer	16
ანოტაცია ნაშრომში მიიღება ბრტყელ გეომეტრიაში X სხივების გაჭოლვის და დიფუზიის განტოლების ამონახსენის ზოგადი წარმოდგენა ელემენტარული სინგულარული საკუთრივი ფუნქციების საშუალებით.					

25.	T.Jangveladze, Z.Kiguradze, M.Gagoshidze, M. Nikolishvili	Stability and Convergence of the Variable Directions Difference Scheme for One Nonlinear Two-dimensional model. International Journal of Biomathematics	8, no. 5, 1550057, DOI: 10.1142/S1793524515500576, 2015	World Scientific Publishing	21
ანოტაცია განხილულია არაწრფივი კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებების ორგანზომილებიანი სისტემა. აღნიშნული სისტემა აღწერს მცენარეთა ფოთლებში ძარღვოვანი განვითარების პროცესს. აგებული და გამოკვლეულია ცვალებადი მიმართულების სხვაობიანი სქემა. ნაჩვენებია სქემის აბსოლიტურად მდგრადობა სივრცითი და დროითი ცვლადების ბიჯების მიმართ. დამტკიცებულია კრებადობის თეორემა. ჩატარებულია მრავალი რიცხვითი ექსპერიმენტი და მიღებული შედეგებისა და თეორიული დასკვნების შედარებითი ანალიზი.					
26.	I. Kkardava, J. Antidze, N.Gulua	Solving the Problem of the Accents for Speech Recognition Systems// International Journal of Signal Processing Systems	June, 2015	USA	4
ანოტაცია სტატიაში გაკეთებულია შემოთავაზება, შექმნილი ადამიანის ამოსაცნობად მისი ბიომეტრიული მონაცემების მიხედვით.					
27.	I. Tsagareli, L. Bitsadze	Explicit Solution of one Boundary Value Problem in the full Coupled Theory of Elasticity for Solids with Double Porosity, Acta Mechanica	226, Issue 5 (2015)	Springer-Verlag Wien	10
ანოტაცია ნაშრომში ცხადად, აბსოლუტურად და თანაბრად კრებადი მწკრივების სახით, ამოხსნილია დრეკადობის ბმული თეორიის სტატიკის ნეიმანის ტიპის სასაზღვრო ამოცანები ორგვარი ფოროვნობის მქონე წრისათვის და სიბრტყისათვის წრიული ხვრელით.					
28.	L. Bitsadze, I. Tsagareli	The solution of the Dirichlet BVP in the fully coupled theory for spherical layer with double porosity//Meccanica, An International Journal of Theoretical and Applied Mechanics	DOI: 10.1007/s11012-015-0312-z, 2015	Springer Netherlands	11
ანოტაცია ნაშრომში ცხადად, აბსოლუტურად და თანაბრად კრებადი მწკრივების სახით, ამოხსნილია დრეკადობის ბმული თეორიის სტატიკის დირიხლეს ტიპის სასაზღვრო ამოცანა ორგვარი ფოროვნობის მქონე სფერული ფენისათვის.					
29.	L. Bitsadze, I. Tsagareli	Solutions of BVPs in the fully Coupled Theory of Elasticity for the Spa-	DOI: 10.1002/mma.3629 2015	John Wiley & Sons, Ltd ENGlAND	10

		ce with Double Porosity and Spherical Cavity// Mathematical Methods in the Applied Science			

ანოტაცია

ამოხსნილია ფოროდრეკადობის ბმული თეორიის სტატიკის ძირითადი სასაზღვრო ამოცანები სივრცისათვის სფერული ღრუთი. ამონახსნი დაწერილია აბსოლუტურად და თანაბრად კრებადი მწკრივების სახით.

30.	B. Dundua, M. Florido, T. Kutsia, M. Mircea	CLP(H): Constraint Logic Programming for Hedges //Theory and Practice of Logic Programming	DOI: 10.1017/-S1471068415000071 (http://arxiv.org/pdf/1503.00336.pdf), 2015	CambridgeUniversityPress	28

ანოტაცია

მიმდევრობებისთვის განისაზღვრა შეზღუდვებიანი ლოგიკური პროგრამირება. შესწავლილ იქნა მიღებული ფორმალიზმის ალგებრული და ოპერაციული სემანტიკები.

31.	N. Khomasuridze N. Zirakashvili	Study of Multilayer Flow of Viscous Incompressible Fluid and Application of Its Results for Capillary Blood Flow Simulation//International Journal of Mathematics and Computational Science	1, No. 2 (2015)	American Institute of Science (AIS), Public Science Framework	11

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია ბლანტი არაკუმშვადი სითხის წრფივი სტაციონარული მრავალფენიანი დინება მილში, რომელიც შემოსაზღვრულია განზოგადებულ ცილინდრულ კოორდინატთა სისტემის საკოორდინატო ზედაპირებით. გამოკვლეულია მრავალფენიანი სითხის წრიული დინებები წრიულ-ცილინდრულ კოორდინატთა სისტემაში. დასმულია ჰიდრომექანიკის სათანადო სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანები და მიღებულია მათი ეფექტური ამონახსნები. მიღებული შედეგები გამოიყენება სისხლის მიკროცირკულაციის გამოსაკვლევად.

32.	C. Dunchev, A. Leitsch, M. Rukhaia, D. Weller	Cut-elimination in Proof Schemata//In Logic, Language and Computation (Lecture Notes in Computer Science)	8984 (2015)	Springer,Berlin-Heidelberg, Germany	20

ანოტაცია

გენცენის ცნობილი ქათ-ელიმინაციის თეორემა ამბობს, რომ პირველი რიგის ლოგიკის სეკვენციათა კალკულუსის ყოველი დამტკიცება, რომელიც შეიცავს განკვეთის წესს, შესაძლებელია გადავაკეთოთ ისეთ დამტკიცებად, რომელიც ამ წესს არ შეიცავს. ეს თეორემა ზოგადად სამართლიანი არ არის ისეთ სისტემებში, სადაც გვაქვს ინდუქციის წესი. ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზა არის ის, რომ ინდუქციური დამტკიცებები

წარმოვადგინოთ როგორც დამტკიცებათა უსასრულო მიმდევრობა და შევიმუშაოთ მეთოდი, რომელიც დაახასიათებს განკვეთის წესისგან თავისუფალ დამტკიცებებს. ამ სტატიაში სწორედ ასეთი მეთოდია წარმოდგენილი რეზოლუციის გამოყენებით. ასევე განსაზღვრულია ინდუქციური დამტკიცებების ის კლასი, რომელის ტრანსფორმაციაც შესაძლებელია ამ მეთოდით.

33.	Kh. Chargazia, O. Kharshiladze	Investigation of the Strong Turbulence in the Geospace Environment//Advances in Radio Sciences	11 (2015)	გიოტინგენი, გერმანია	14

ანოტაცია

მაგნიტოსფერულ პლაზმაში შესწავლილია გრიგალური სტრუქტურები, რომლებიც ხშირად დაიმზირება თანამგზავრული მისიებით რეალურ გარემოში. დიდმასშტაბიანი გრიგალები შეესაბამება ტურბულენტობის მასშტაბს, ამიტომ მათი წარმოშობის გააზრება წარმოადგენს მნიშვნელოვან ამოცანას ენერგიის ურთიერთგაცვლის პროცესების გამოსაკვლევად. ამ მიზნით რეალურ მონაცემებზე დაყრდნობით მაგნიტოსფეროს კუდში გამოვლენილია ძლი-ერად ლოკალიზებული გრიგალების ერთობლიობა, მათ მიერ ტურბულენტური მდგომარეობის ჩამოყალიბება. აღნიშნული სტრუქტურებისათვის შეფასებულია სიმძლავრის სპექტრები, რომელიც წარმოადგენს გრიგალური სტრუქტურების კარგ მახასიათებელს.

34.	N.Khomasuridze, R. Janjgava	Solution of some boundary value thermoelasticity problems for a rectangular parallelepiped taking into account microthermal effects//Meccacica, An International Journal of Theoretical and Applied Mechanics	DOI 10.1007/s11012-015-0207, 2015	Springer	11

ანოტაცია

ნაშრომში განიხილება კერძოწარმოებულიან დიფერენციალურ განტოლებათა სამგანზომილებიანი სისტემა, რომელიც აღწერს ერთგვაროვანი იზოტროპული სხეულების თერმოდრეკად წონასწორობას, როცა ამ სხეულების მიკროელემენტები, გარდა კლასიკური გადაადგილებისა და ტემპერატურული ველებისა, ხასიათდებიან მიკროტემპერატურითაც. აღნიშნული განტოლებათა სისტემის ზოგადი ამონახსნი წარმოდგენილია ჰარმონიული და მეტაჰარმონიული ფუნქციების საშუალებით. მიღებული ზოგადი ამონახსნის გამოყენებით ამოხსნილია სასაზღვრო ამოცანათა გარკვეული კლასი მართკუთხა პარალელეპიპედისათვის. თუ ამ ამონახსნებში მიკროტემპერატურული ეფექტის მახასიათებელ კოეფიციენტებს ნულის ტოლად ჩავთვლით, მივიღებთ შესაბამისი კლასიკური სასაზღვრო ამოცანების ამონახსნებს, რომელთა უმრავლესობა ამოხსნილია პირველად. უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომის მიზანია სასაზღვრო ამოცანათა ეფექტური (ანალიზური) ამონახსნების აგება და არა განსახილავი თეორიის გამოყენების მიზანშეწონილობის გამოკვლევა.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის დასახელება, ჩატარების დრო და ადგილი
1.	გ. ჯაიანი	ზოგიერთი მიღებული შედეგი და აქტივობა	საქართველოს მექანიკოსთა კავშირის მე-6 ყოველწლიური კონფერენცია, 29 სექტემბერი – 4 ოქტომბერი, 2015, თბილისი
მოხსენების ანოტაცია მოხსენება წარმოადგენს მომხსენებლის ანგარიშს მისი ძირითადი აქტივობების შესახებ ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს მათემატიკოსთა კავშირსა და საქართველოს მექანიკოსთა კავშირში. გარდა ამისა, ის ეძღვნება მის ძირითად შედეგებს კერძოწარმოებულიან დიფერენციალურ, უმთავრესად გადაგვარებულ, განტოლებათა თეორიაში და მათ გამოყენებებს წამახვილებული დრეკადი გარსების, ფირფიტებისა და ღეროებისათვის. ის შეიცავს აგრეთვე დრეკადი მყარი სხეულებისათვის და სითხისა და დრეკადი მყარი სხეულების ურთიერთქმედების ამოცანებისათვის ავტორის მიერ აგებულ ზოგიერთ ორ და ერთგანზომილებიან მოდელის მოკლე მიმოხილვას.			
2.	გ. ჯაიანი	წამახვილებული მიკროპოლარული პრიზმული გარსების ერთი მოდელის შესახებ	ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მესამე კონფერენცია, 2–7 თებერვალი, 2015, თბილისი
მოხსენების ანოტაცია განხილულია ი. ვეკუას განზომილების რედუქციის მეთოდის გამოყენებით წრფივი დრეკადობის სამგანზომილებიანი მომენტური თეორიის ბაზაზე აგებული დრეკადი მიკროპოლარული პრიზმული გარსების იერარქიული მოდელების ნულოვანი მიახლოების მმართველ განტოლებათა სისტემის კერძო შემთხვევა, როცა გადაადგილებები და ძალური ძაბვის ტენზორი ნულის ტოლია. შესწავლილია წამახვილებული მიკროპოლარული პრიზმული გარსებისთვის სასაზღვრო ამოცანების კორექტულად დასმის თავისებურებები.			
3.	გ. ჯაიანი	ფენოვანი დრეკადი იზოტროპული სტრუქტურის გათვლის ერთფენოვანი ეკვივალენტური მოდელის აგება და გამოკვლევა	ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXIX გაფართოებული სხდომები, 22-24 აპრილი, 2015, თბილისი
მოხსენების ანოტაცია ორფენოვანი დრეკადი იზოტროპული სტრუქტურის მაგალითზე აგებულია და			

გამოკვლეულია მისი ეკვივალენტური ერთფეროვანი მოდელი. ფენებს შეიძლება ჰქონდეთ როგორც ბლაგვი, ასევე მახვილი წამახვილებები, კერძოდ, უკუქცევის წიბოები.			
4.	გ. ჯაიანი	On Peculiarities of Setting Boundary Conditions for Cusped Shells, Plates, and Bars	II Advanced Courses in Applied Mathematics, TICMI, 28-29 სექტემბერი, 2015, თბი-ლისი
მოხსენების ანოტაცია თანამედროვე პრაქტიკულ ნაგებობებში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სტრუქტურები რთული გეომეტრიით. ნაგებობების თხელი და ფაქიზი დრეკადი ნაწილები კუთხეებით და წამახვილებებით, როგორიცაა წამახვილებული გარსები, ფირფიტები და ღეროები, განეკუთვნებიან კონსტრუქციების რთულ კომპონენტებს. მათ განხილვას მივყევართ არაკლასიკურ ამოცანებამდე, როგორც მათემატიკური, ასევე მექანიკის თვალსაზრისით. ლექცია, უმთავრესად, ეძღვნება წამახვილებული გარსების, ფირფიტებისა და ღეროებისათვის სასაზღვრო პირობების დასმის თავისებურებების ახსნას.			
5.	ნ. ჩინჩალაძე	ბიოფირი, რომელსაც უკავია თხელი პრიზმული არეები	საქართველოს მექანიკოსთა კავშირის მე-6 ყოველწლიური კონფერენცია, 29 სექტემბერი – 4 ოქტომბერი, 2015, თბილისი
მოხსენების ანოტაცია ბიოფირი არის გელის მსგავსი აგრეგატი, რომელიც შედგება ბაქტერიების მსგავსი მიკროორგანიზმებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ ბიოფირი შეიცავს სითხეს ისინი შეიძლება განხილულ იქნას, როგორც მყარი სტრუქტურა. ბიოფირი შეიძლება წარმოიშვას სხვადასხვა გარემოს გამყოფ ზედაპირებზე, მაგალითად, მყარი სხეულისა და სითხის საკონტაქტო ზედაპირზე ან აირისა და მყარი სხეულის, ან აირისა და სითხის გამყოფ ზედაპირზე და ა.შ. მოხსენება ეხება ერთ და ორგანზომილებიან ამოცანებს, როცა ბიოფირს უკავია თხელი პრიზმული არე. ორგანზომილებიანი ამოცანის განხილვისას გამოყენებულია განზომილების რედუქციის ი. ვეკუას მეთოდი.			
6.	ნ. ჩინჩალაძე	თხელ პრიზმულ არეში მოთავსებული ბიოფირის ერთი ამოცანის შესახებ (სტენდური მოხსენება)	The First SDSU – Georgia STEM WORKSHOP on Nanotechnology and Environmental Sciences, September 5 2015, Tbilisi, Georgia
მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე სასრულ არეში განხილულია ბიოფირის ერთგანზომილებიანი ერთი არაწფივი ამოცანა.			
7.	ნ. ჩინჩალაძე	პრაქტიკაში გავრცელებული რთული გეომეტრიის მქონე ზოგიერთი კონსტრუქციის გაანგარიშების შესახებ	ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXIX გაფართოებული სხდომები, 22-24 აპრილი, 2015, თბილისი

		მოხსენების ანოტაცია მოხსენება ეძღვნება ფენოვანი წამახვილებული სხეულის გაანგარიშებასთან დაკავშირებით შექმნილ პროგრამული პროდუქტის პრეზენტაციას.	
8.	ნ. ჩინჩალაძე	წამახვილებული ორფენოვანი პრიზმული გარსის ერთი ამოცანის შესახებ	ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მესამე კონფერენცია, 2–7 თებერვალი, 2015, თბილისი
		მოხსენების ანოტაცია იერარქიული მოდელების ნულოვან მიახლოებაში ორფენოვანი პრიზმული გარსისთვის განხილულია ღუნვის ამოცანა. დამტკიცებულია ამონახსნის არსებობის და ერთადერთობის თეორემები.	
9.	თ. ვაშაყმაძე	To Some Problems for Thermo-Dynamic Elastic Multilayer Thin-Walled structures	TICSAM – 2015, საერთაშორისო კონფერენცია კომპიუტერულ მეცნიერებებსა და გამოყენებით მათემატიკაში, 21-23 მარტი, 2015, თბილისი
		მოხსენების ანოტაცია მოხსენებაში ფორმულირებულია და გამოკვლეულია ზოგიერთი საკითხი ღია პრობლემებისა, დაკავშირებული თხელ-კედლოვანი გარემოს ორ და მრავალფენოვან სტუქტურების შესაბამის არაწრფივ მოდელებთან, როდესაც იგი წარმოადგენს ელექტრო-გამტარ ან ფოროვან ან ბლანტ თერმო-დინამიურ დრეკად ნარევს. ამ ტიპის მოდელები შეესაბამება ილია ვეკუას კერძო წარმოებულიან დიფერენციალურ განტოლებათა სისტემას საწყისი N=0,1 მიახლოების შემთხვევაში.	
10.	თ. ვაშაყმაძე	პოლინომთა ნამრავლის ოპერაციათა რიცხვის შეფასების ახალი ალგორითმი	აკადემიკოს ი.ფრანგიშვილის დაბადების 85–ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია „საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები, მოდელირება, მართვა“, 3–5 ნოემბერი, 2015, თბილისი
		მოხსენების ანოტაცია განხილულია ერთი ცვლადის ორი პოლინომის ნამრავლის წარმოდგენის საკითხი. აგებულია ახალი ალგორითმი, რომელიც საშუალებას იძლევა ჩვეულებრივი კლასიკური მეთოდი, რომელიც საჭიროებს გამრავლების $(n+1)^2$ ოპერაციის მაგივრად $(n+1)(n+2)/2$ ოპერაციას. განხილულია შემთხვევაც, როდესაც პოლინომები სხვადასხვა ხარისხისაა და დათვლილია შესაბამისი საჭირო რაოდენობა გამრავლების ოპერაციისა. იგი $(m+1)(2n-m+2)/2$ ტოლია.	
11.	თ. ვაშაყმაძე, უ. კაინაკი, მ.ა. გიულერ	Application of new mathe–matical models for design and analysis of some thin-walled flexible composite structures applicable to high	Workshop on Nanotechnology and Environmental Sciences, 4-6 სექტემბერი, 2015, თბილისი

		altitude unmanned air vehicles	
მოხსენების ანოტაცია განხილულია საკითხები: უპილოტო საფრენი აპარატების (უსა) ძირითადი ელემენტების ახალი და ოპტიმალური დიზაინი და ანალიზი; ახალგაზრდა მკვლევართა ინტენსიური სწავლება ახალი მექანიკური მოდელების აგების მიმართულებით; ახალგაზრდა მკვლევართა ინტენსიური სწავლება რიცხვითი მეთოდების მიმართულებით; რიცხვითი ალგორითმებისა და სქემების აგება; შესაბამისი პროგრმული უზრუნველყოფის შექმნა და ფუნქციონირება; შექმნილი პ რ ს–ათა გამოყენება და რეალიზაცია უსა-ს ზოგიერთი თხელკედლოვანი სტრუქტურის დიზაინისა და ანალიზისათვის.			
12.	თ. ვაშაყმაძე	თერმოდინამიური დრეკადი გარსების მოდელირებისა და ანალიზურ ფუნქციათა თეორიის გამოყენების შესახებ	საქართველოს მექანიკოსთა კავშირის მე-6 ყოველწლიური კონფერენცია, 29 სექტემბერი – 4 ოქტომბერი, 2015, თბილისი
მოხსენების ანოტაცია განიხილება თერმოდინამიური სტრუქტურების მათემატიკური მოდელირების საკითხი ორგანზომილებიანი ფონ კარმან-კოიტერის ტიპის დაზუსტებული თეორიებით პიეზოელექტრული, ელექტროგამტარი და ბლანტი დრეკადი ფენოვანი არადამრეცი გარსებისათვის. მიიღება სასაზღვრო ამოცანები კერძო წარმოებულიან ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებათა სისტემისათვის; მათი ნაწილი წარმოადგენს მონჟამპერის ოპერატორისა და პუასონის ფრჩხილების შესაბამისი გამოსახულებებს, რომელთა გათვალისწინებით გაკეთებულ იქნა ანალიზურ ფუნქციათა თეორიისა და პროექციული მეთოდების ზოგიერთი სქემის გამოყენების მცდელობა.			
13.	თ. ვაშაყმაძე, უ. კაინაკი	ზოგიერთი პრობლემის შესახებ მრავალფენოვანი დრეკადი თხელკედლოვანი გარემოსათვის	მათემატიკისა და ინფორმატიკის გამოყენება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და ინჟინერიაში (თბილისის სამეცნიერო კვირეულის ფარგლებში), 11-13 ნოემბერი, 2015, თბილისი
მოხსენების ანოტაცია გამოკვლეულია ზოგიერთი ღია პრობლემის გადაჭრის საკითხი, დაკავშირებული ი.ვეკუას საწყისი N=0 და N=1 მიახლოების (ზოგადად ფონ კარმან-მინდლინ-რეისნერის ტიპის დაზუსტებულ თეორიათა) შესაბამისი არაწრივი მოდელისათვის მულტისტრუქტურული ორფენოვანი და მრავალფენოვანი თხელკედლოვანი გარემოს შემთხვევაში , როდესაც იგი ცვლადი სისქის პიეზო ელექტროგამტარ ან ფორო ან ბლანტ თერმოდრეკად ბინარულ ნარევს წარმოადგენს. ამ ხერხით აგებული სივცული ცვლადის მიმართ ორგანზომილებიანი დიფერენციალურ განტოლებათა სისტემა საწყისი და სასაზღვრო პირობებით გამოყენებულ იქნება,როგორც მათემატიკური მოდელი ზემაღალი უპილოტო საფრენი აპარატის შესაბამისი ზოგიერთი თხელკედლოვანი მოქნილი კომპოზიტური სტრუქტურისათვის შემდგომი დიზაინისა და ანალიზის მიზნით.			
14.	ე. ნადარაია, გ. სოხაძე	Integral Functionals of a Density	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მესამე კონ-

			ფერენცია, 2–7 თებერვალი, 2015, თბილისი
მოხსენების ანოტაცია მოცემულია ავტორების მიერ ბოლო პერიოდში მიღებული შედეგების მიმოხილვა და მათი ადგილი თანამედროვე კვლევებში.			
15.	პ. ბაბილუა, ე. ნადარაია	On Estimation of Functionals of Gasser-Muller Regression Functions	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXIX გაფართოებული სხდომები, 22-24 აპრილი, 2015, თბილისი
მოხსენების ანოტაცია მიმოხილულია ავტორების მიერ მიღებული შედეგები გასერ-მიულერის ტიპის რეგრესიის ფუნქციების ფუნქციონალების შეფასების მიმართულებით.			
16.	ტ. ბუაძე, ზ. ხეჩინაშვილი, გ. სოხაძე	On the Fernique-Skorokhod Type Integrals	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXIX გაფართოებული სხდომები, 22-24 აპრილი, 2015, თბილისი
მოხსენების ანოტაცია განხილულია ფერნიკ-სკოროხოდის ტიპის ინტეგრალის ცხადი სახით ამოხსნის პრობლემა.			
17.	მ. ფაცაცია, ა. ტყეშელაშვილი, გ. სოხაძე	About Representation of Solution of Second Order Ordinary Differential Equations with Random Coefficients	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXIX გაფართოებული სხდომები, 22-24 აპრილი, 2015, თბილისი
მოხსენების ანოტაცია მოყვანილია მეორე რიგის შემთხვევითკოეფიციენტებიანი ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლების ამონახსნის წარმოდგენის საკითხები.			
18.	პ. ბაბილუა, ე. ნადარაია, გ. სოხაძე	The Limiting Distribution of an Integral Square Deviation of Two Kernel Estimatorsof Bernoulli Regression Function	საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის VI საერთაშორისო კონფერენცია. 12–16 ივლისი, 2015, ბათუმი
მოხსენების ანოტაცია წარმოდგენილია ავტორების მიერ მიღებული შედეგების ანალიზი.			

19.	პ. ბაბილუა, ე. ნადარაია	On teaching math in special school	საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის VI საერთაშორისო კონფერენცია. 12–16 ივლისი, 2015, ბათუმი
მოხსენების ანოტაცია განხილულია სპეციალურ სკოლებში მათემატიკის სწავლების პრობლემები.			
20.	ე. ნადარაია, პ. ბაბილუა, გ. სოხაძე	About Bernoulli Type Regression	International Conference on Probability Theory and Statistics. 7-12 სექტემბერი, 2015, თბილისი
მოხსენების ანოტაცია წარმოდგენილია ავტორების შედეგები ბერნულის ტიპის რეგრესიის ფუნქციის შეფასებისათვის.			
21.	რ. კაკუბავა, ს. კურტანიძე, გ. სოხაძე, ა. ტყეშელაშვილი	On One General Problem of the Queuing Theory	მათემატიკისა და ინფორმატიკის გამოყენება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და ინჟინერიაში (თბილისის სამეცნიერო კვირეულის ფარგლებში), 11-13 ნოემბერი, 2015, თბილისი
მოხსენების ანოტაცია განხილულია რიგების თეორიის ზოგადი პრობლემა და მოყვანილი იყო მიღებული შედეგები.			
22.	გ.გიორგაძე, გ.ხიმშიაშვილი	სახსრული ასახვების და კვადრარული ასახვების გეომეტრია	საქართველოს მექანიკოსთა კავშირის მე-6 ყოველწლიური კონფერენცია, 29 სექტემბერი – 4 ოქტომბერი, 2015, თბილისი
მოხსენების ანოტაცია განხილულია იყო ზოგიერთი მექანიკური სისტემის კონფიგურაციული სივრცის ერთერთ შესაძლო დახასიათება. ნებისმიერი *M* მექანიკური სისტემის ყველა შესაძლო მდგომარეობათა X სივრცე, რომელსაც *M*-ის კონფიგურაციული სივრცე ეწოდება, ქმნის ალგებრულ მრავალსახეობას. ძირითადად, სისტემის მდგომარეობა სრულად ხასიათდება სასრული რაოდენობის პარამეტრების საშუალებით, ამ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს, რომ ფიგურაციული სივრცე არის ევკლიდურ სივრცეში ჩადგმული მრავალსახეობა. X-ის ნებისმირი წერტილი არის სისტემის გარკვეული მდგომარება და განსხვავებულ წერტილებს შეესაბამება განსხვავებული მდგომარეობები. განხილულია სახსრული მექანიზმების კონფიგურაციულ სივრცე, რომელიც გლუვი მრავალსახეობების გამორჩეული კლასია და კიდევ ცნობილია როგორც მრავალკუთხედების კონფიგურაციული სივრცე. გამოთვლილი იქნა სახსრული მექანიზმების კონფიგურაციული სივრცის ეილერის მახასათებელი და ნაჩვენებია, რომ სივრცის ტოპოლოგია ტექნიკურ შეზღუდვებს ადებს მექანიკურ სისტემას.			
23.	უ. გოგინავა	ფურიეს მწკრივების ლოგარითმული საშუალოები	მათემატიკისა და ინფორმატიკის გამოყენება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და

			ინჟინერიაში (თბილისის სამეცნიერო კვირეულის ფარგლებში), 11-13 ნოემბერი, 2015, თბილისი
მოხსენების ანოტაცია მოხსენებაში განხილულია ფურიეს მწკრივების ლოგარითმული საშუალოების ნორმით და თითქმის ყველგან კრებადობის საკითხები.			
24.	თ. თადუმაძე	ერთი კლასის ნეიტრალური სამართი ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლების სენსიტიური ანალიზი	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მესამე კონფერენცია, 2–7 თებერვალი, 2015, თბილისი
მოხსენების ანოტაცია მიღებულია სენსიტიურობის კოეფიციენტის წრფივი წარმოდგენა საწყისი მონაცემების შეშფოთებების მიმართ.			
25.	<u>თ. თადუმაძე,</u> ა. ნაშავი	Sensitivity analysis of some classes of controlled delay functional differential equations	Second Tbilisi - Salerno Workshop on Modeling in Mathe-matics, 16-18 მარტი, 2015, თბილისი
მოხსენების ანოტაცია სამართი სისტემისთვის უწყვეტი საწყისი პირობით მიღებულია სენსიტიურობის კოეფიციენტის წრფივი წარმოდგენა საწყისი მონაცემების შეშფოთებების მიმართ.			
26.	თ. თადუმაძე	საწყისი მონაცემების ოპტიმიზაცია და შებრუნებული ამოცანები ზოგიერთი კლასის ნეიტრალური ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებისთვის	ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXIX გაფართოებული სხდომები, 22-24 აპრილი, 2015, თბილისი
მოხსენების ანოტაცია მიღებულია საწყისი მონაცემების ოპტიმალურობის აუცილებელი პირობები.მოყვანილია მოცემული წირისა და ტრაექტორიის ნაჭერის დამთხვევის შებრუნებული ამოცანის მიახლოებით ამოხსნის ალგორითმი.			
27.	თ. თადუმაძე	Sensitivity analysis for some classes of controlled dynamical systems with time-delay	Swedish-Georgian Conference in Analysis an Dynamical Systems, 15-22 ივლისი, 2015, თბილისი
მოხსენების ანოტაცია უწყვეტად წარმოებადი საწყისი ფუნქციებისა და უბან–უბან უწყვეტ მართვების კლასში მიღებულია სენსიტიურობის კოეფიციენტის წრფივი წარმოდგენა საწყისი მონაცემების შეშფოთებების მიმართ.			
28.	<u>თ. თადუმაძე,</u>	On the representations of sensiti-	International Workshop on the

	ა. ნაშავი	vity coefficients for nonlinear delay functional differential equations with the discontinuous initial condition	Qualitative Theory of Differential Equations, 27 - 29 დეკემბერი, 2015, თბილისი
მოხსენების ანოტაცია უწყვეტი საწყისი ფუნქციებისა და ზომადი მართვების კლასში მიღებულია სენსიტიურობის კოეფიციენტის წრფივი წარმოდგენა საწყისი მონაცემების შეშფოთებების მიმართ.			
29.	თ. კალაძე	მოდიფიცირებული კორტევეგა–დევრიზის განტოლება დამაგნიტებული როსბის ტალღებისათვის იონოსფეროს E-შრის ზონალურ ნაკადში	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXIX გაფართოებული სხდომები, 22-24 აპრილი, 2015, თბილისი
მოხსენების ანოტაცია გამოკვლეულია დამაგნიტებული როსბის ტალღებისა და წანაცვლებული ზონალური ნაკადის არაწრფივი ურთიერთქმედება იონოსფეროს E-შრეში. ნაჩვენებია, რომ სუსტი არაწრფივობის შემთხვევაში 2D განზომილების ჩარნის გრიგალური განტოლება შეიძლება დაყვანილი იქნას ერთგანზომილებიან მოდიფიცირებულ კორტევეგა – დე ვრიზის განტოლებაზე.			
30.	გ. კაპანაძე	დრეკადობის ბრტყელი თეორიის ერთი ამოცანის შესახებ სასრული მრავალკუთხა არისათვის წრიული ხვრელით	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXIX გაფართოებული სხდომები, 22-24 აპრილი, 2015, თბილისი
მოხსენების ანოტაცია შესწავლილია დრეკადობის ბრტყელი თეორიის ამოცანა წრიული ხვრელის მქონე მრავალკუთხა არისათვის. ამოცანის ამოსახსნელად გამოყენებულია კონფორმულ ასახვათა და ანალიზურ ფუნქციათა თეორიის მეთოდები. დადგენილია ძაბვების კონცენტრაციის სურათი კუთხეების წვეროთა მახლობლობაში.			
31.	გ. კაპანაძე	დრეკადობის ბრტყელი თეორიის ერთი ამოცანის შესახებ მრავალკუთხა ხვრელის მქონე წრიული არისათვის	საქართველოს მექანიკოსთა კავშირის მე-6 ყოველწლიური კონფერენცია, 29 სექტემბერი – 4 ოქტომბერი, 2015, თბილისი
მოხსენების ანოტაცია განხილულია დრეკადობის ბრტყელი თეორიის ამოცანა მრავალკუთხა ხვრელის მქონე წრიული არისათვის. ამოცანის ამოსახსნელად გამოყენებულია კონფორმულ ასახვათა და ანალიზურ ფუნქციათა სასაზღვრო ამოცანების მეთოდები და საძიებელი კომპლექსური პოტენციალები აგებულია ეფექტურად (ანალიზური ფორმით). მოყვანილია ამონახსნების შეფასებები კუთხეების წვეროთა მახლობლობაში.			
32.	რ. კოპლატაძე	The Specific Properties of Solu-	Second Tbilisi-Salerno Work-

		tions of First Order Differential and Difference Equations with Several Delay Arguments	shop on Modeling in Mathematics, 16-18 მარტი, 2015, თბილისი
მოხსენების ანოტაცია განილულია პირველი რიგის დაგვიანებულ არგუმენტებიანი დიფერენციალური განტოლებები. ადრე ანალოგიური შედეგები მიღებული იყო ერთი დაგვიანების შემთხვევაში. როცა დაგვიანება ერთზე მეტია, ანალოგიური ამოცანის შესწავლა საკმარისად რთულდება. მრავალი დაგვიანების შემთხვევაში მოხერხდა ოპტიმალრი შედეგების მიღება. მიღებული შედეგები სპეციფიურია დაგვიანებულ არგუმენტიანი დიფერენცილური განტოლებებისათვის და არ გააჩნია ანალოგი ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლების შემთხვევაში.			
33.	რ. კოპლატაძე	ფუნქციონალურ–დიფერენციალურ და დისკრეტულ განტოლებათა ამონახსნების ასიმპტოტური ყოფაქცევის შესახებ	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXIX გაფართოებული სხდომები, 22-24 აპრილი, 2015, თბილისი
მოხსენების ანოტაცია ფუნქციონალურ დიფერენციალური განტოლებებისათვის შესწავლილია ქრობადი, შემოუსაზღვრელი და რხევადი ამონახსნების არსებობის საკითხი. ზოგიერთი შედეგი აუცილებელი და საკმარისია იმისათვის, რომ განტოლებას გააჩნდეს ზემოთ აღნიშნული სახის ამონახსნები. დისკრეტული განტოლებების შემთხვევაში დადგენილია წესიერი რხევადი ამონახსნების არსებობის საკითხი.			
34.	რ. კოპლატაძე	ემდენ-ფაულერის ტიპის ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებები	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მესამე კონფერენცია, 2–7 თებერვალი, 2015, თბილისი
მოხსენების ანოტაცია შესწავლილია წინწასწრებულ არგუმენტიანი ემდენ-ფაულერის განზოგადოებული დიფერენციალური განტოლება. მიღებული შედეგები წარმოადგენს ადრე კარგად ცნობილი შედეგების განზოგადოებას.			
35.	თ. მეუნარგია	არადამრეცი გარსის ნეიტრალური ზედაპირები	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXIX გაფართოებული სხდომები, 22-24 აპრილი, 2015, თბილისი

მოხსენების ანოტაცია

ილია ვეკუას მიერ შესწავლილი იყო დრეკად გარსებში ე.წ. ნეიტრალური ზედაპირის არსებობის საკითხი, როცა ეს ზედაპირი წარმოადგენდა გარსის შუა ზედაპირს. მოცემულ მოხსენებაში ნეიტრალურ ზედაპირად განიხილება შუა ზედაპირის ეკვიდისტანტური ზედაპირები.

36.	თ. მეუნარგია	ი. ვეკუას მეთოდის განზოგადება ფიზიკურად და გეომეტრიულად არაწრფივი და არადამრეცი გარსებისათვის	საქართველოს მექანიკოსთა კავშირის მე–6 ყოველწლიური კონფერენცია, 29 სექტემბერი – 4 ოქტომბერი, 2015, თბილისი

მოხსენების ანოტაცია

ილია ვეკუას მიერ აგებული იყო დამრეცი გარსების წრფივი თეორია, რომელიც შეიცავს დრეკადობის 3–განზომილებიანი ამოცანების 2–განზომილებიან ამოცანებზე დაყვანის ე.წ. რეგულარულ პროცესს. ამ მეთოდის გამოყენებით მიღებულია არადამრეცი გარსების გეომეტრიულად და ფიზიკურად არაწრფივი თეორიის 2–განზომილებიან სრული სისტემა.

37.	ო. ჭკადუა, დ. ნატროშვილი	Localized boundary-domain integral equations approach for problems of the theory of electro-magneto-elasticity for inhomogeneous solids	International Workshop on Operator Theory and Applications, IWOTA – 2015, 6-10 ივლისი, 2015, თბილისი

მოხსენების ანოტაცია

მოხსენებაში ლოკალური სასაზღვრო-სივრცული ინტეგრალური განტოლებების მეთოდით გამოკვლეულია თერმო-ელექტრო-მაგნეტო დრეკადობის თეორიის ამოცანები არაერთგვაროვანი სხეულების შემთხვევაში. დადგენლია ამონახსნების არსებობისა და ერთადერთობის თეორემები სხვადასხვა ფუნქციურ სივრცეებში.

38.	დ. ნატროშვილი	ტალღათა გაბნევა არაერთგვაროვანი ანიზოტროპული წინაღობის მიერ: სასაზღვრო - სივრცული განტოლებების მეთოდი	მათემატიკისა და ინფორმატიკის გამოყენება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და ინჟინერიაში (თბილისის სამეცნიერო კვირეულის ფარგლებში), 11-13 ნოემბერი, 2015, თბილისი

მოხსენების ანოტაცია

განხილულია აკუსტიკური ტალღების გაბნევის მათემატიკური ამოცანები, როდესაც ამრეკლავი წინაღობა წარმოდგენს ანიზოტროპულ არაერთგვაროვან გარემოს. განხილულია შემთხვევა, როდესაც ფიზიკური პარამეტრები წყვეტილია ერთგვაროვანი და არერთგვაროვანი ნაწილების გამყოფ ზედაპირზე. ამოცანები შესწავლილია ახლად დამუშავებული სასაზღვრო-სივრცული ლოკალიზებული განტოლებების თეორიის გამოყენებით, რომელიც დაფუძნებულია ლოკალიზებული პარამეტრიქსის საშუალებით აგებული განზოგადებული პოტენციალებისა და მათი შესაბამისი ინტეგრალური და ფსევდოდიფერენციალური ოპერატორების თვისებებზე. დამტკიცებულია შესაბამისი ტრანსმისიის ამოცანების ამონახსნთა არსებობისა და ერთადერთობის თეორემები რხევის პარამეტრის ნე-ბისმიერი მნიშვნელობისათვის.

39.	ჯ. როგავა, დ. გულუა	მცირე პარამეტრის მეთოდის გამოყენება მრავალშრიანი სქემის გახლეჩისთვის	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXIX გაფართოებული სხდომები, 22-24 აპრილი, 2015, თბილისი
მოხსენების ანოტაცია განხილულია ოთხშრიანი არაცხადი სქემა აბსტრაქტული ევოლუციური განტოლებისთვის, რომელიც მცირე პარამეტრის მეთოდის გამოყენებით დაიყვანება ორშრიან სქემებზე. შეფასებულია მიახლოებითი ამონახსნის ცდომილება ჰილბერტის სივრცეში.			
40.	ჯ. როგავა, მ. წიკლაური	Semi-discrete scheme for Generalization of a Nonlinear Kirkchoff-type Equation	2 nd Georgian - Czech – Italian – Hungarian Conference and Workshop, „Lie Groups, Differential Equations and Geometry“, Supported by Marie Curie International Research Staff Exchange Scheme Grant FP7-PEOPLE-2012-IRSES-317721, On the occasion of the 80th years Anniversary of The Batumi Shota Rustaveli State University, 9 – 18 სექტემბერი, 2015, ბათუმი
მოხსენების ანოტაცია ჰილბერტის სივრცეში განხილულია ერთი არაწრფივი მეორე რიგის ოპერატორული დიფერენციალური განტოლება, რომელიც წარმოადგენს კირხოფის კლასიკური განტოლების განზოგადებას. ამ განტოლების მიახლოებითი ამოხსნისთვის შემოთავაზებულია ლოკალურად წრფივი ნახევრადდისკრეტული სქემა. დამტკიცებულია მისი მდგრადობა და შეფასებულია მიახლოებითი ამონახსნის ცდომილება.			
41.	გ. ფანცულაია	Description of the Structure of Uniformly Distributed Sequences on [-1/2; 1/2] from the Point of View of Shyness	საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის VI საერთაშორისო კონფერენცია. 12–16 ივლისი, 2015, ბათუმი
მოხსენების ანოტაცია $[-1/2,1/2]$ ინტერვალზე უნიფორმულად განაწილებული მიმდევრობების სტრუქტურა შესწავლილია ჰაარის ნულ სიმრავლის თვალსაზრისით და დადგენილია, რომ ის წარმოადგენს ჰაარის ნულ სიმრავლეს R^{∞} სივრცეში.			
42.	გ. ფანცულაია	On Dynamical Systems in a Polish Group	Swedish-Georgian Conference in Analysis an Dynamical Systems, 15-22 ივლისი, 2015,თბილისი
მოხსენების ანოტაცია			

შემუშავებულია მიდგომა, რომელიც იძლევა საშუალებას ნებისმიერი კონტინუუმის სიმძლავრის სიმრავლე აღვჭურვოთ პოლონური ჯგუფის სტრუქტურით და ორმხრივად ინვარიანტული ჰაარის ზომით. ეს მიდგომა, იძლევა საშუალებას დადებითად გავცეთ პასუხი მალეკის (2012) შეკითხვაზე – შეიძლება თუ არა ორ განსხვავებულ ლის ჯგუფს ჰქონდეს ერთი და იგივე ჰაარის ზომა.

43.	გ. ფანცულაია	Infinite-Dimensional Monte-Carlo Integration	მათემატიკისა და ინფორმატიკის გამოყენება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და ინჟინერიაში (თბილისის სამეცნიერო კვირეულის ფარგლებში), 11-13 ნოემბერი, 2015, თბილისი

მოხსენების ანოტაცია

R^{∞} სივრცის უსასრულო-განზომილებიანი მართკუთხედის სასრულ ქვესიმრავლეთა ზრდადი უნიფორმულად განაწილებული მიმდევრობების თვისებების გამოყენებით დაფუძნებულია უსასრულო-განზომილებიანი მონტე-კარლოს ინტეგრირება და მიღებულია უსასრულო-განზომილებიანი გაძლიერებული კანონის ტიპის თეორემები.

44.	ქ. ყაჭიაშვილი	Distribution Parameters Estimators of a Family of Irregular	აკადემიკოს ი. ფრანგიშვილის დაბადების 85-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია "საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები, მოდელირება, მართვა", 3-5 ნოემბერი, 2015, თბილისი

მოხსენების ანოტაცია

მიღებული და გამოკვლეულია ბეტა განაწილების ფორმის პარამეტრების ეფექტური შეფასებების გამოთვლის იტერაციული ალგორითმი მდებარეობის პარამეტრების წაუნაცვლებელი შეფასებების გამოყენებით. როდესაც პარამეტრების მაღალი სიზუსტის შეფასებები არის საჭირო, გამოთვლების ერთით მეტი ბიჯი არის საჭირო, რომელიც ახდენს მიღებული შეფასებების ოპტიმიზაციას. ბეტა განაწილების და მართკუთხა სამკუთხა განაწილების პარამეტრების ძალმოსილი, წაუნაცვლებელი და ეფექტური შეფასებები მიღებულია და გამოკვლეულია დიდი შესაძლებლობის მქონე მეთოდის საფუძველზე. გამოთვლის შედეგები, განხორციელებული შესაბამისი შემთხვევითი ამონარჩევების მოდელირების საფუძველზე დემონსტრაციას უკეთებენ თეორიულ შედეგებს.

45.	თ. ჯანგველაძე	On Two Systems of Nonlinear Partial Differential Equations	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXIX გაფართოებული სხდომები, 22-24 აპრილი, 2015, თბილისი

მოხსენების ანოტაცია

განხილულია ორი ტიპის არაწრფივი კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებათა სისტემა. შესწავლილია საწყის-სასაზღვრო ამოცანის ამონახსნის

ზოგიერთი თვისება და მიახლოებითი ამოხსნა.			
46.	თ. ჯანგველაძე, ზ. კიღურაძე	On Some Partial Differential and Integro-Differential Nonli-Near Modrls	Swedish-Georgian Conference in Analysis an Dynamical Systems. 15-22 ივლისი, 2015, თბილისი
მოხსენების ანოტაცია შესწავლილია მაქსველის განტოლებათა სისტემაზე დაფუძნებული ზოგიერთი არაწრფივი კერძოწარმოებულებიანი და ინტეგრო-დიფერენციალური მოდელის ერთგანზომილებიანი ანალოგი. გამოკვლეულია შესაბამისი საწყის-სასაზღვრო ამოცანების ამონახსნების ასიმპტოტური ყოფაქცევადა მიახლოებითი ამოხსნის საკითხი.			
47.	თ. ჯანგველაძე	Investigation and Numerical Resolu-tion of Two Types Non-linear Partial Integro-Diffe-rential Models	საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის VI საერთაშორისო კონფერენცია. 12–16 ივლისი, 2015, ბათუმი
მოხსენების ანოტაცია შესწავლილია ორი ტიპის არაწრფივი კერძოწარმოებულებიანი ინტეგრო-დიფერენციალური მოდელი. აღნიშნული მოდელები დაფუძნებულია მაქსველის ცნობილ განტოლებათა სისტემაზე, რომელიც აღწერს ელექტრომაგნიტური ველის გარემოში გავრცელების პროცესს. გამოკვლეულია როგორც შესაბამისი საწყის-სასაზღვრო ამოცანების ამონახსნების ასიმპტოტური ყოფაქცევა, ასევე მიახლოებითი ამოხსნის საკითხები.			
48.	თ. ჯანგველაძე, ზ. კიღურაძე, მ. კრაწაშვილი	Asymptotic Behavior of Solution and Semi-Discrete Scheme for One Non-linear Averaged Integro-Differential Equation With Source Term	საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის VI საერთაშორისო კონფერენცია. 12–16 ივლისი, 2015, ბათუმი
მოხსენების ანოტაცია შესწავლილია ერთი არაწრფივი გასაშუალებული წყაროს წევრიანი ინტეგრო-დიფერენციალური განტოლება. განხილულია საწყის-სასაზღვრო ამოცანა შერეული ტიპის სასაზღვრო პირობებით. აგებული და გამოკვლეულია შესაბამისი ნახევრადდისკრეტული სქემა. დადგენილია ასევე ამონახსნის ასიმპტოტური ყოფაქცევა.			
49.	ნ. ავაზაშვილი	ტრანსცენდენტალურ წირთა ერთი ოჯახის მექანიკური ინტერპრეტაციის შესახებ	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXIX გაფართოებული სხდომები, 22-24 აპრილი, 2015, თბილისი
მოხსენების ანოტაცია შენიშნულია მარტივი მექანიკური კონსტრუქცია, რომლის გამოყენებით შესაძლებელია ელემენტარულ ფუნქციათა გარკვეული ოჯახის ერთი წარმომადგენლის მიხედვით რეპროდუცირებულ იქნას ნებისმიერი ფუნქცია ამავე ოჯახიდან.			
50.	ჯ. ანთიძე	One approach on programming of some large volume projects	TICSAM – 2015, საერთაშორისო კონფერენცია კომპიუ-

			ტერულ მეცნიერებებსა და გამოყენებით მათემატიკაში, 21-23 მარტი, 2015, თბილისი
მოხსენების ანოტაცია შემოთავაზებულია ახალი მიდგომა, რომელიც მნიშვნელოვნად ამარტივებს ზოგიერთი დიდი მოცულობის პროექტების დაპროგრამებას, როგორიცაა მაგალითად, ბუნებრივი ენების კომპიუტერული მოდელირება.			
51.	ჯ. ანთიძე	One approach for establishment of natural language sentence semantical correct–ness	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXIX გაფართოებული სხდომები, 22-24 აპრილი, 2015, თბილისი
მოხსენების ანოტაცია შემოთავაზებულია ახალი მიდგომა ქართული ფრაზების სემანტიკური სისწორის დასადგენად. იგი დაფუძნებულია ქართული ფრაზების სინტაქსური ანალიზის ავტორის მიერ შემოთავაზებულ მეთოდზე.			
52.	გ. ახალაია, ნ. მანჯავიძე	რიმან–ჰილბერტის ტიპის სასაზღვრო ამოცანები სიბრტყეზე	საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის VI საერთაშორისო კონფერენცია, 12–16 ივლისი, 2015, ბათუმი
მოხსენების ანოტაცია განხილულია რიმან–ჰილბერტის ტიპის სასაზღვრო ამოცანა განზოგადებული ანალიზური ვექტორებისათვის. ნაპოვნია ნორმალურად ამოხსნადობის პირობები. მოცემულია ძირითადი შედეგის გამოყენების ერთი ვარიანტი.			
53.	მ. ბერიაშვილი	ეგზოტიკურ წერტილოვან სიმრავლეთა ზოგიერთი თვისება ინვარიანტული ზომის მიმართ	Swedish-Georgian Conference in Analysis an Dynamical Systems, 15-22 ივლისი, 2015, თბილისი
მოხსენების ანოტაცია მოხსენება ეხება ზომის გაგრძელების ამოცანას სხვადასხვა ეგზოტიკური სიმრავლეების მიმართ კარგი თვისებების შენარჩუნებით და წარმოდგენილია ავტორის მიერ მიღებული შედეგი, რომლის თანახმადაც ზომის თეორიისათვის ძალიან ცუდ ობიექტზე, კერძოდ სერპინსკის სიმრავლეზე, გაგრძელებულია ინვარანტული ზომა.			
54.	მ. ბერიაშვილი	დუალური პარადოქსალური ობიექტები - ლუზინისა და სერპინსკის სიმრავლეები	საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის VI საერთაშორისო კონფერენცია, 12–16 ივლისი, 2015, ბათუმი
მოხსენების ანოტაცია მოხსენება ეხება ორ დუალურ ობიექტს, კერძოდ ლუზინისა და სერპინსკის სიმრავლეებს, კერძოდ განხილულია მათი როლი ზომის თეორიისა და ტოპოლოგიის თვალსაზრისით.			

55.	მ. ბერიაშვილი	ჰამელის ბაზისების ზოგიერთი გამოყენების შესახებ	ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენცია (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია), 18-19 მაისი, 2015, თბილისი
	მოხსენების ანოტაცია მოხსენება შეეხება ჰამელის ბაზისების გამოყენებას სხვადასხვა მათემატიკურ დარგებში, კერძოდ, მათემატიკურ ანალიზში, ფუნქციათა თეორიაში, ზომის თეორიაში და გეომეტრიაში.		
56.	მ. ბერიაშვილი	ბერნშტეინის კლასიკური სიმრავლეების ზოგიერთი თვისების შესახებ	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXIX გაფართოებული სხდომები, 22-24 აპრილი, 2015, თბილისი
	მოხსენების ანოტაცია ბერნშტეიენის სიმრავლე წარმოადგენს კლასიკურ პარადოქსალურ ობიექტს, რომელსაც მრავალი საინტერესო თვისება გააჩნია სხვადასხვა მათემატიკური თეორიებისათვის. წარმოვადგინეთ ამ თვისებების კვლევისას მიღებული შედეგები.		
57.	მ. ბერიაშვილი	ჰამელის ბაზისებისა და ბერნშტეინის სიმრავლეების ზომადობის თვისებების შესახებ	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მესამე კონფერენცია, 2–7 თებერვალი, 2015, თბილისი
	მოხსენების ანოტაცია ბერნშტეინის სიმრავლე და ჰამელის ბაზისი წარმოადგენს ორ პათოლოგიურ ობიექტს ზომის თეორიის თვალსაზრისით. ნაჩვენებია, რომ ბერნშტეინის სიმრავლეთა კლასისა და ჰამელის ბაზისების კლასის თანაკვეთა არაცარიელია.		
58.	<u>ლ. ბიწაძე</u> <u>ი. ცაგარელი</u>	The solution of the Dirichlet BVP in the fully coupled theory for spherical layer with double porosity	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXIX გაფართოებული სხდომები, 22-24 აპრილი, 2015, თბილისი
	მოხსენების ანოტაცია მოხსენებაში ცხადად, აბსოლუტურად და თანაბრად კრებადი მწკრივების სახით, ამოხსნილია დრეკადობის ბმული თეორიის სტატიკის დირიხლეს ტიპის სასაზღვრო ამოცანა ორგვარი ფოროვნობის მქონე სფერული ფენისათვის.		
59.	<u>ბ. დუნდუა,</u>	ურანგო თარგების აღრიცხვის ონფლუენტურობა	მათემატიკისა და ინფორმატიკის გამოყენება საბუნების-

	თ. კუცია		მეტყველო მეცნიერებებსა და ინჟინერიაში (თბილისის სამეცნიერო კვირეულის ფარგლებში), 11-13 ნოემბერი, 2015, თბილისი

მოხსენების ანოტაცია

გაფართოვდა შეთანადების ფუნქციით პარამეტრიზებული თარგების აღრიცხვა ურანგო ფუნქციონალური სიმბოლოებით. განისაზღვრა პარამეტრისთვის პირობები და დადგინდა ამ პირობების საკმარისობა თარგების აღრიცხვის კონფლუენტურობისათვის.

60.	ნ. ზირაქაშვილი	Formulation of fictitious load method in system polar coordinates for elasticity problems	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXIX გაფართოებული სხდომები, 22-24 აპრილი, 2015, თბილისი

მოხსენების ანოტაცია

დრეკადობის თეორიის სასაზღვრო და სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანების ამოსახსნელად ფორმულირებულია სასაზღვრო ელემენტთა მეთოდი, კერძოდ ფიქტიური დატირთვის მეთოდი, პოლარულ კოორდინატთა სისტემის საკოორდინატო ღერძებით შემოსაზღვრული არისათვის. მოყვანილია ორი ტესტური ამოცანა ფიქტიური დატვირთვის მეთოდის გამოყენებაზე. ერთი ამოცანისთვის გვაქვს ზუსტი ამონახსნი, ამიტომ საზღვრის მონაკვეთებად დაყოფისა და რკალებად დაყოფისათვის სასაზღვრო ელემენტთა მეთოდის გამოყენებით მიღებული რიცხვითი შედეგები შედარებულია ზუსტ მნიშვნელობთან. მეორე ამოცანაში ერთმანეთთან შედარებულია საზღვრის მონაკვეთებად დაყოფისა და რკალებად დაყოფის შემთხვევაში ფიქტიურ დატირთვის მეთოდით მიღებული რიცხვითი შედეგები.

61.	ნ. ზირაქაშვილი	Application of Fourier Boundary Element Method to Solution of Some Problems of Elasticity	საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის VI საერთაშორისო კონფერენცია. 12–16 ივლისი, 2015, ბათუმი

მოხსენების ანოტაცია

ბოლო წლების გამოკვლევებით დგინდება, რომ სასაზღვრო ელემნტთა მეთოდი (BEM) გამოთვლით მექანიკის ამოცანების ამოხსნის მძლავრ იარაღს წარმოადგენს. მისი ერთერთი ნაკლი ის არის, რომ იგი ეფუძნება ფუნდამენტურ ამონახსნებს. მრავალ საინჟინრო ამოცანაში ფუნდამენტური ამონახსნების მიღება ძალიან რთულია ან შეუძლებელია. ამის თავიდან ასაცილებლად წარმოვადგენთ BEM -ის ალტერნატიულ (განზოგადებულ) მეთოდს, რომელშიც გამოიყენება ფურიეს სივრცული გარდაქმნები. ეს მეთოდი ცნობილია Fourier-BEM სახელწოდებით. Fourier-BEM ეფუძნება ფურიეს გარდაქმნის ორ ცნობილ თეორემას: ა) პარსევალის თეორემას, რომელიც ადგენს, რომ ტერმინი *ენერგია* საწყის სივრცეში და ტერმინი *მუშაობა* გარდაქმნილ სივრცეში ექვივალენტურია და ბ) ნახვევის (კონვოლუციის) თეორემას, რომელიც ნახვევს საწყის სივრცეში უბრალო გამრავლებით აკავშირებს გარდაქმნილ სივრცეში. იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ფუნდამენტური ამონახსნის ფურიეს გარდაქნის შებრუნება თავიდან იქნება აცილებული და პირდაპირ გამოიყენება ფუნდამენტური ამონახსნის ფურიეს გარდაქმნა. ამოხსნილია

დრეკადობის თეორიის ამოცანები ტრადიციული BEM-ით და Fourier-BEM-ით და შედეგები შედარებულია ერთმანეთთან.

62.	ნ. ზირაქაშვილი	STUDY OF STRESS-STRAIN STATE OF ELLIPTICAL BODY WITH CRACK	საქართველოს მექანიკოსთა კავშირის მე-6 ყოველწლიური კონფერენცია, 29 სექტემბერი – 4 ოქტომბერი, 2015, თბილისი

მოხსენების ანოტაცია

განხილულია სასაზღვრო ამოცანა ელიფსისათვის, როდესაც ელიფსურ საზღვარზე და ელიფსის ფოკუსებს შორის მონაკვეთზე მოცემულია მხები ძაბვები, ხოლო ნორმალური ძაბვებისგან თავისუფალია. ეს ამოცანა მიიღება ნახევარელიფსისათვის $\{0 \le \xi \le \xi_1, 0 \le \eta \le \pi\}$ შესაბამისი ამოცანისგან, როდესაც $\eta = 0$ და $\eta = \pi$ -ზე მოცემულია ამონახსნის უწყვეტად გაგრძელების პირობები, ამიტომ შესაძლებელია ნახევარ ელიფსის შეკვრა მთლიან ელიფსურ რგოლად, რომელშიც $\xi = 0$ -ზე მოცემულია მხები ძაბვა და ამ მონაკვეთზე არ სრულდება ამონახსნის უწყვეტად გაგრძელების პირობები, ე.ი. გვაქვს ბზარი, რომელზეც მოქმედებს მხები ძაბვა. ამ ამოცანის ამოსახსნელად გამოიყენება მეთოდი, რომლითაც დრეკადობის თეორიის რთული ამოცანების ამოხსნა დაიყვანება მარტივი ამოცანების ამოხსნაზე, კერძოდ, დრეკადობის თეორიის შიგა და გარე ამოცანების ამოხსნაზე, რომლებიც მარტივად იხსნება ცვლადთა განცალების მეთოდით. MATLAB-ის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით მიღებულია რიცხვითი შედეგები და აგებულია სხეულში გადაადგილებებისა და ძაბვების განაწილების შესაბამისი 2D და 3D გრაფიკები.

63.	<u>ზ. კიღურაძე,</u> მ. კრაწაშვილი	On One Two-Dimensional Model Based on Maxwell System	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXIX გაფართოებული სხდომები, 22-24 აპრილი, 2015, თბილისი

მოხსენების ანოტაცია

განხილულია ერთი ორგანზომილებიანი არაწრფივი კერძოწარმოებულებიანი ინტეგრო-დიერენციალური განტოლება. შესწავლილია დირიხლეს საწყის-სასაზღვრო ამოცანა ერთგვაროვანი სასაზღვრო პირობებით. გამოკვლეულია ამონახსნის ასიმპტოტური ყოფაქცევა დროითი ცვლადის უსასრულო ზრდისას. დადგენილია სტაბილიზაციის რიგი.

64.	<u>ზ. კიღურაძე,</u> მ. აფციაური	On One Two-Dimensional Non-linear Integro-Differential Equation Based on Maxwell System	საქართველოს მათემატიკოს–თა კავშირის VI საერთაშორისო კონფერენცია. 12–16 ივლისი, 2015, ბათუმი

მოხსენების ანოტაცია

შესწავლილია ელექტრომაგნიტური ველის გარემოში გავრცელების პროცესის აღმწერი ერთიარაწრფივი ორგანზომილებიანი გასაშუალებული განტოლება. გამოკვლეულია შესაბამისი საწყის-სასაზღვრო ამოცანის ამონახსნის ზოგიერთი რაოდენობრივი და

თვისებრივი მახასიათებელი.			
65.	ა.პაპუკაშვილი, თ.დავითაშვილი, ზ.ვაშაკიძე	დრეკადობის თეორიის ზოგიერთი სასაზღვრო და საკონტაქტო ამოცანების კვლევა რიცხვითი მეთოდებით	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მესამე კონფერენცია, 2–7 თებერვალი, 2015, თბილისი
მოხსენების ანოტაცია განხილულია დრეკადობის თეორიის შემდეგი ორი ამოცანა: 1.ბზარებით შესუსტებული შედგენილი (უბნობრივ-ერთგვაროვანი) სხეულებისთვის ანტიბრტყელი ამოცანა; 2.თხელი ხისტი ჩართვის მქონე მართკუთხოვანი ფირფიტის ღუნვის ამოცანა. ზემოაღნიშნული ამოცანების შესწავლისთვის გამოყენებულია ინტეგრალურ განტოლებათა მეთოდი. შემოთავაზებულია ინტეგრალური განტოლებების მიახლოებითი ამოხსნის ახალი სათვლელი ალგორითმები კოლოკაციის მეთოდის გამოყენებით.			
66.	ა. პაპუკაშვილი, ჯ. როგავა, ზ. ვაშაკიძე	რთული გეომეტრიის მქონე ზოგიერთი მულტისტრუქტურის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის შესწავლის ერთი რიცხვითი მეთოდის შესახებ	TICSAM – 2015, საერთაშორისო კონფერენცია კომპიუტერულ მეცნიერებებსა და გამოყენებით მათემატიკაში, 21-23 მარტი, 2015, თბილისი
მოხსენების ანოტაცია რიცხვითი მეთოდებით შესწავლილია რთული გეომეტრიის მქონე ზოგიერთი „ხიდის ფორმის“ მულტისტრუქტურის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა. კერძოდ განხილულია სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანა: მართკუთხედის ფორმის ორი ფირფიტა შეერთებულია ძელით. ფირფიტისთვის განიხილება კლასიკური წრფივი სასაზღვრო ამოცანები, ხოლო ძელისთვის კირხოფის ტიპის არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური განტოლება. გამოწერილია სათვლელი ალგორითმები, შექმნილია პროგრამული საშუალებები პროგრამათა სისტემა Matlab-ში და ჩატარებულია რიცხვითი ექსპერიმენტები.			
67.	ა. პაპუკაშვილი	რთული გეომეტრიის მქონე ზოგიერთი მულტისტრუქტურული სხეულისთვის სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანის მიახლოებითი ამოხსნის ერთი რიცხვითი მეთოდის შესახებ	ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXIX გაფართოებული სხდომები, 22-24 აპრილი, 2015, თბილისი
მოხსენების ანოტაცია რიცხვითი მეთოდებით შესწავლილია რთული გეომეტრიის მქონე ზოგიერთი „ხიდის ფორმის“ მულტისტრუქტურის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა.			
68.	ა. პაპუკაშვილი	დრეკადობის თეორიის ანტიბრტყელი ამოცანების მიახლოებითი ამოხსნის შესახებ ბზარე-	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახე-

		ბით შესუსტებული შედგენილი სხეულებისთვის	ლობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXIX გაფართოებული სხდომები, 22-24 აპრილი, 2015, თბილისი
მოხსენების ანოტაცია ბზარებით შესუსტებული შედგენილი სხეულის შემთხვევაში დრეკადობის ანტიბრტყელი თეორიის ზოგიერთი სასაზღვრო ამოცანის მიახლოებითი ამოხსნისთვის გამოწერილია ახალი სათვლელი ალგორითმები კოლოკაციის, კერძოდ დისკრეტულ განსაკუთრებულობათა მეთოდით თანაბრად დაშორებული კვანძების შემთხვევაში. ჩატარებულია შესაბამისი რიცხვითი გათვლები. მიღებულ შედეგებს აქვთ როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ღირებულება.			
69.	<u>ა. პაპუკაშვილი,</u> მ. დემეტრაშვილი, მ. შარიქაძე	დრეკადობის თეორიის ანტიბრტყელი ამოცანის მიახლოებითი ამოხსნის ერთი მეთოდის შესახებ ჯვრის ფორმის ორგანზომილებიანი სხეულისთვის	საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის VI საერთაშორისო კონფერენცია. 12–16 ივლისი, 2015, ბათუმი
მოხსენების ანოტაცია შვარცისა და გალიორკინის მეთოდების გამოყენებით აგებულია ახალი სათვლელი ალგორითმები დრეკადობის თეორიის ანტიბრტყელი ამოცანის (პუასონის განტოლებისათვის დირიხლეს სასაზღვრო ამოცანის) მიახლოებითი ამოხსნისათვის ჯვრის ფორმის ორგანზომილებიანი სხეულის შემთხვევაში.			
70.	<u>ა. პაპუკაშვილი,</u> თ. დავითაშვილი, ზ. ვაშაკიძე	ბზარებით შესუსტებული შედგენილი სხეულისთვის დრეკადობის ანტიბრტყელი თეორიის ზოგიერთი სასაზღვრო ამოცანის მიახლოებითი ამოხსნა კოლოკაციის მეთოდით	საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის VI საერთაშორისო კონფერენცია. 12–16 ივლისი, 2015, ბათუმი
მოხსენების ანოტაცია ბზარებით შესუსტებული შედგენილი სხეულის შემთხვევაში დრეკადობის ანტიბრტყელი თეორიის ზოგიერთი სასაზღვრო ამოცანის მიახლოებითი ამოხსნისთვის გამოწერილია ახალი სათვლელი ალგორითმები კოლოკაციის მეთოდით, ჩატარებულია შესაბამისი რიცხვითი გათვლები და გაკეთებულია ბზარის გავრცელების შესახებ ჰიპოთეტური პროგნოზი.			
71.	მ. რუხაია	ქათ-ელიმინაცია და მტკიცებათა სქემები	ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXIX გაფართოებული სხდომები, 22-24 აპრილი, 2015, თბილისი
მოხსენების ანოტაცია მოხსენებაში განხილულია გენცენისქათ-ელიმინაციის თეორემა ინდუქციური			

დამტკიცებები-სათვის. ასეთი დამტკიცებები წარმოდგენილია როგორც დამტკიცებათა უსასრულო მიმდევრობა და შემუშავებულია მეთოდი, რომელიც დაახასიათებს განკვეთის წესისგან თავისუფალ დამტკიცებებს. ასევე განსაზღვრულია ინდუქციური დამტკიცებების ის კლასი, რომელის ტრანსფორმაციაც შესაძლებელია ამ მეთოდით.

72.	მ. რუხაია, გ. ჭანკვეტაძე, ლ. კურტანიძე	Semi-Automated Construction of Proof Schemata	Eleventh International Tbilisi Symposium on Language, Lo–gic and Computation, 21–25 სექტემბერი, 2015, თბილისი

მოხსენების ანოტაცია

მოხსენებაზე წარმოდგენილი იქნა მტკიცებათა სქემები და მათი აგების ალგორითმი. აგრეთვე ამ ალგორითმის კომპიუტერული რეალიზაცია.

73.	თ. ტეტუნაშვილი	A Note on the Structure of Atomic Components of Independent Families of Sets	Swedish-Georgian Conference in Analysis an Dynamical Systems, 15-22 ივლისი, 2015, თბილისი

მოხსენების ანოტაცია

წარმოდგენილია სიმრავლური ოჯახების გეომეტრიული რეალიზაციის შესაძლებლობა სხვადასხვა ფიგურებით.

74.	თ. ტეტუნაშვილი	სიმრავლურ-თეორიული და კომბინატორული მეთოდების ზოგიერთი გამოყენების შესახებ	მათემატიკისა და ინფორმატიკის გამოყენება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და ინჟინერიაში (თბილისის სამეცნიერო კვირეულის ფარგლებში), 11-13 ნოემბერი, 2015, თბილისი

მოხსენების ანოტაცია

განხილულია რამდენიმე დებულება ევკლიდური სიბრტყისა და ევკლიდური სივრცის ერთგვაროვანი დაფარვების შესახებ, ასევე თეორემები სიმრავლეთა ოჯახების გეომეტრიული რეალიზაციების შესახებ და დებულებები გარკვეული გეომეტრიული თვისებების მქონე წერტილოვანი სიმრავლეების არსებობაზე.

75.	თ. ქასრაშვილი	სიმრავლურ–თეორიული ინვარიანტები ევკლიდური გეომეტრიის საკითხებში	ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXIX გაფართოებული სხდომები, 22-24 აპრილი, 2015, თბილისი

მოხსენების ანოტაცია

მოხსენებაში ნაჩვენებია წირის ალგებრულობისა და ტრანსცენდენტულობის განმასხვავებელი ძირითადი ინვარიანტი, კერძოდ მოყვანილია თეორემა: თუ სიბრტყეზე არსებობს წრფე, რომლის მოცემულ წირთან გადაკვეთის წერტილთა სიმრავლე უსასრულოდ თვლადია, მაშინ წირი იქნება ტრანსცენდენტული.

76.	ხ. ჩარგაზია, ო. ხარშილაძე	ფონური ქარის გავლენა უდს მოდების მიერ დიდმას–შტაბიანი ზონალური ქარის გენერაციაზე	საქართველოს მათემატიკოს–თა კავშირის VI საერთაშორი–სო კონფერენცია. 12–16 ივლი–სი, 2015, ბათუმი

მოხსენების ანოტაცია

შესწავლილია არაერთგვაროვანი ფონური ქარებით მართულ იონოსფეროში ზონალური დინების გენერაცია. შესწავლილია არაწრფივი (სკალარული და ვექტორული) ეფექტების როლი სასრული ამპლიტუდის მქონე ულტრა დაბალი სიხშირის (უდს) მოდების მიერ დიდმასშტაბიანი ზონალური დინებების ფორმირებაში დისიპაციურ იონოსფეროში. შესაბამისი განტოლებათა სისტემის თეორიული ანალიზის საფუძველზე შეშფოთებათა ამპლიტუდებისათვის (საკუთარი რიცხვებისათვის განზოგადოებული ამოცანა) გამოვლენილ იქნა შედარებით მცირე მასშტაბიანი უდს ტალღიდან და ფონური ქარებიდან ენერგიის დიდმასშტაბიან ზონალურ დინებებში გადაქაჩვის თავისებურებები. ნაჩვენებია, რომ ზონალური დინების გენერაცია განპირობებულია სასრულ ამპლიტუდიანი დამაგნიტებული როსბის ტალღის რეინოლდსის ძაბვით და ფონური წანაცვლებითი დინების ზემოქმედებით.

77.	ხ. ჩარგაზია, ო. ხარშილაძე	წანაცვლებითი დინების გავ–ლენა უდს ტალღების მიერ დიდმასშტაბიანი ზონალური მოძრაობების წარმოშობაზე	საქართველოს მექანიკოსთა კავშირის მე–6 ყოველწლიური კონფერენცია, 29სექტემბერი – 4 ოქტომბერი, 2015, თბილისი

მოხსენების ანოტაცია

შესწავლილია არაერთგვაროვანი წანაცვლებითი დინებებით განპირობებულ იონოსფეროში ზონალური დინების წარმოშობა. შესაბამისი განტოლებათა სისტემის თეორიული ანალიზის საფუძველზე შეშფოთებათა ამპლიტუდებისათვის (საკუთარი რიცხვებისათვის განზოგადოებული ამოცანა) გამოვლენილ იქნა შედარებით მცირე მასშტაბიანი უდს ტალღიდან და წანაცვლებიტი დინებებიდან ენერგიის დიდმასშტაბიან ზონალურ მოძრაობებში გადაქაჩვის თავისებურებები.

78.	ხ. ჩარგაზია, ო. ხარშილაძე, ჯ. როგავა	არაწრფივი დინამიკური გან-ტოლებების თეორიული ანა-ლიზი და რიცხვითი სიმულა-ცია წანაცვლებითი დინებით განპირობებულ დისიპაციურ იონოსფეროში	TICSAM – 2015, საერთაშო–რისო კონფერენცია კომპიუტე-რულ მეცნიერებებსა და გამო-ყენებით მათემატიკაში, 21-23 მარტი, 2015, თბილისი

მოხსენების ანოტაცია

დისიპაციურ იონოსფეროში ზონალურ წანაცვლებით დინებებში ეფექტურია არამოდალური მიდგომა. არამოდალური მიდგომით შესწავლილია პლანეტარული მასშტაბის როსბის ტალღებისა და უდს ჩქარი ტალღების ინდუცირებული წრფივი კავშირის არაორთოგონალურობა. ნაჩვენებია, რომ ამ კავშირის გამო გენერირდებიან უდს ელექტრო მაგნიტური ტალღები იონოსფერული და წანაცვლებითი დინებების პარამეტრების საკმაოდ ფართე დიაპაზონისათვის.

79.	ხ. ჩარგაზია, ო. ხარშილაძე, რ. ჭანიშვილი	ზონალური დინებებისა დიდ-მასშტაბიანი მაგნიტური ველე-ბის არაწრფივი გენერაცია უდს ტალღების მიერ და ამ ტალ-ღების ურთიერთ ტრანსფორმა-ცია იონოსფეროში, სატელი-	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტის ზუსტ და საბუ-ნებისმეტყველო მეცნიერება-თა ფაკულტეტის მესამე კონ-ფერენცია, 2–7 თებერვალი,

		ტური მონაცემების ანალიზი	2015, თბილისი
მოხსენების ანოტაცია შესწავლილია ტურბულენტურ არაერთგვაროვანი ფონური ქარებით მართულ იონოსფეროში ზონალური დინებისა და მაგნიტური ველების არაწრფივი გენერაცია. შესწავლილია არაწრფივი (სკალარული და ვექტორული) ეფექტების როლი სასრული ამპლიტუდის მქონე დამაგნიტებული ტალღების მიერ დიდმასშტაბიანი ზონალური დინებებისა და მაგნიტური ველების ფორმირებაში დისიპაციურ იონოსფეროში. გამოყენებულ იქნა მოდიფიცირებული პარამეტრული მოდგომა. გამოკვლეულია უდს ტალღების ურთიერთტრანსფორმაციის ამოცანა წანაცვლებითი დინებებით განპირობებულ იონოსფეროში. ჩატარებულ იქნა რეალურ სატელიტურ მონაცემთა ანალიზი.			
80.	ხ. ჩარგაზია, ო. ხარშილაძე	ფრიქციული ავტორხევები მიწისძვრის მარტივ მოდელებში	მათემატიკისა და ინფორმატიკის გამოყენება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და ინჟინერიაში (თბილისის სამეცნიერო კვირეულის ფარგლებში), 11-13 ნოემბერი, 2015, თბილისი
მოხსენების ანოტაცია სეისმური პროცესების მოდელირების მიზნით განხილულია ტექტონიკური ფილების მოძრაობის დინამიკა ხახუნის ძალის შტრიბეკ-ეფექტის გათვალისწინებით. მარტივი ერთბლოკიანი სისტემის ჰაიკინის ამოცანაში ბლოკის დაბალი სიჩქარეებისათვის მიღებულია ვანდერპოლის განტოლება, რომელიც აღწერს ფრიქციულ ავტორხევებს. ამ მოდელში ნაჩვენებია „stick-slip“ დინამის არსებობა, რომლის შესწავლა აქტუალურია მიწისძვრის პროცესების შესაძლო მექანიზმის გამოსავლენად. განხილულია ორი ბმული ვანდერპოლის ოსცილატორის დინამიკა, რომელშიც გარე პერიოდული ძალის არსებობისას დაბალსიხშირული პერიოდული „ტექტონიკური“ სიგნალის ფონზე გამოვლენილია მაღალსიხშირული „სეისმური“ რხევები. ასეთი სიგნალები მიღებულია რეალური სეისმური გაფილტრული სიგნალებიდან, რაც გვიჩვენებს მოდელის კარგ თვისობრივ თანხვედრას რეალურ სეისმურ დაკვირვებებთან. რიცხვითი მეთოდების გამოყენებით ასევე შესწავლილია ერთი და ორ-ბლოკიანი სისტემების არაწრფივი დინამიკა მშრალი ხახუნის სხვადასხვა ანალიზური მოდელის საშუალებით სიჩქარის შეზღუდვის გარეშე და ნაჩვენებია როგორც „stick-slip“ მოძრაობის, ასევე დეტერმინირებული ქაოსის შესაძლებლობა შტრიბეკ-ეფექტის გათვალისწინებით. რეგულარული და ქაოსური მოძრაობები თვისობრივად შესწავლილია მოდელში მიეღებული სიგნალების სპექტრალური ანალიზით, ბიფურკაციული დიაგრამებით და ფაზური ტრაექტორიების პუანკარეს კვეთების აგებით. დეტერმინირებული ქაოსის არსებობა ასეთ მარტივ მოდელებშიც კი პრობლემურს ხდის მიწისძვრის პროგნოზირებას, მაგრამ იძლევა პროცესის ფიზიკურ სურათს.			
81.	ი. ცაგარელი, ლ. ბიწაძე	დრეკადობის ბმული თეორიის სასაზღვრო ამოცანების ამოხსნა ორგვარი ფორების შემცველი სფეროსათვის	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXIX გაფართოებული სხდომები, 22-24 აპრილი, 2015, თბილისი

მოხსენების ანოტაცია

ცხადად, აბსოლუტურად და თანაბრად კრებადი მწკრივების სახით, ამოხსნილია დრეკადობის ბმული თეორიის სასაზღვრო ამოცანები ორგვარი ფორების შემცველი სფეროსათვის.

82.	ნ. ხატიაშვილი	სიმსივნური ცილების გავლენა სისხლის ნაკადზე	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXIX გაფართოებული სხდომები, 22-24 აპრილი, 2015, თბილისი

მოხსენების ანოტაცია

გამოკვლეულია სიმსივნის უჯრედების და პროტეინების რაოდენობის გავლენა სისხლის ნაკადზე მცირე არტერიოლებში. ჟანგბადის და სხვა ნივთიერებათა შეთვისების პროცესი აღიწერება სტოქსის წრფივი სისტემით. ეს პროცესი დამოკიდებულია სისხლის სიბლანტესა და სიმკვრივეზე. ნაჩვენებია, რომ როდესაც ეს პარამეტრები იზრდება ჟანგბადის მოხმარება კლებულობს. სხვადსხვა პარამეტრისთვის აგებულია ჟანგბადის მოხმარების სიჩქარის პროფილი.

83.	თ. ჯანელიძე, რ. ბოჭორიშვილი, ჰ. ელბერნი	აიკონი და ადვექციის შეუღლებული	მათემატიკისა და ინფორმატიკის გამოყენება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და ინჟინერიაში (თბილისის სამეცნიერო კვირეულის ფარგლებში), 11-13 ნოემბერი, 2015, თბილისი.

მოხსენების ანოტაცია

მოხსენება ეხება იკოსაედრულ სამკუთხა ბადეზე ადვექციის განტოლების შეუღლებულს. განხილულია გრმანული ამინდის სამსახურის (DWD) და მაქს-პლანკის მეტეოროლოგიური ინსტიტუტის (MPI-M) ერთობლივი პროექტი აიკონ-მოდელი. ადვექციის განტოლების ამოსახსნელად აიკონში გამოყენებული რიცხვითი სქემა აღდგენილია DWD-ს პროგრამული კოდიდან. შემდეგ, შეუღლებული რიცხვითი სქემა იქნა აგებული ვარიაციული მონაცემთა ასიმილაციის ფარგლებში, დაიწრა შესაბამისი პროგრამული კოდი და შემოწმდა ექსპერიმენტების საშუალებით.

84.	რ. ჯანჯღავა	ბინარული ნარევისგან შედგენილი ფირფიტების დრეკადი წონასწორობის განტოლებების მიღება მიმდევრობითი გაწარმოების მეთოდით	საქართველოს მექანიკოსთა კავშირის მე–6 ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია, 29 სექტემბერი – 4 ოქტომბერ 2015, თბილისი

მოხსენების ანოტაცია

მოხსენებაში განიხილება ორი იზოტროპული დრეკადი მასალის ნარევის ე. წ. გრინ-ნაგდი-სტილის გეომეტრიულად არაწრფივი მოდელი. აღნიშნული სამგანზომილებიანი მოდელის ძირითადი განტოლებებიდან ბინარული ნარევისგან შედგენილი ფირფიტებისთვის სტატიკური წონასწორობის განტოლებათა სისტემის მისაღებად

გამოყენებულია ი. ვეკუას რედუქციის მეთოდი, რომელსაც ის მიმდევრობითი გაწარ–მოების მეთოდს უწოდებს. ადრე, დამრეცი გარსებისთვის შესაბამისი განტოლებების მისაღებად გამოყენებული იყო საძიებელი სიდიდეების სისქის მიმართ ლეჟანდრის პოლინომებად გაშლის მეთოდი.			
85.	ვ. ჯიქია	უსასრულოდ დაშორებულ წერტილის მიდამოში ხარისხოვანი ასიმპტოტიკის მქონე ამონახსნთა სივრცის განზომილებათა სტრუქტურა ელიფსური ტიპის ზოგიერთი სისტემისათვის	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXIX გაფართოებული სხდომები, 22-24 აპრილი, 2015, თბილისი
მოხსენების ანოტაცია დამტკიცებულია ლიუვილის ტიპის თეორემები კარლემან–ვეკუას არარეგულარულ განტოლებათა სისტემისათვის, რომლებიც წარმოადგენენ ცნობილი განტოლებისათვის ამ ტიპის თეორემების განზოგადოებას.			
86.	ლ. ბარამიძე	ფურიეს მწკრივების ლოგარითმული საშუალოების ზომით კრებადობის შესახებ	მათემატიკისა და ინფორმატიკის გამოყენება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და ინჟინერიაში (თბილისის სამეცნიერო კვირეულის ფარგლებში), 11-13 ნოემბერი, 2015, თბილისი
მოხსენების ანოტაცია მოხსენებაში განხილულია ფურიეს ორმაგი მწკრივების ლოგარითმული საშუალოების ზომით და თითქმის ყველგან კრებადობის საკითხები.			
87.	გ. შევარდნიძე	ფურიეს მწკრივების ჩეზაროს საშუალოების თანაბრად კრებადობის შესახებ	მათემატიკისა და ინფორმატიკის გამოყენება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და ინჟინერიაში (თბილისის სამეცნიერო კვირეულის ფარგლებში), 11-13 ნოემბერი, 2015, თბილისი
მოხსენების ანოტაცია გამოკვლეულია ფუნქციის ფურიე-უოლშის მწკრივების ჩეზაროს უარყოფითი საშუალოების შეჯამებადობა განზოგადებული შემოსაზღვრული ვარიაციებისათვის.			

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის დასახელება, ჩატარების დრო და ადგილი
1.	გ. ჯაიანი	Models of Perpendicularly Linked Two and Three Elastic Bars	9th International Conference on Advanced Computational Engineering and Experimen–

			ting: ACEX2015 (29 June – 2 July, 2015, Munich, Germany)
მოხსენების ანოტაცია ი. ვეკუამ ააგო იერარქიული მოდელები დრეკადი გარსებისათვის, კერძოდ, პრიზმული გარსებისათვის, რისთვისაც გამოიყენა გადაადგილების ვექტორის, ძაბვის და დეფორმაციის ტენზორების ფურიე-ლეჟანდრის მწკრივებად გაშლა. ამ იდეის განზოგადებით და ზემოაღნიშნული სიდიდეების ორმაგ ფურიე-ლეჟანდრის მწკრივებად გაშლით აგებულია იერარქიული მოდელები დრეკადი ღეროებისათვის. მოხსენება ეხება სტატიკის და დინამიკის სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანებს მართი კუთხით მიყრდნობილი ორი და სამი ღეროსათვის იერარქიული მოდელების (0,0) მიახლოებაში.			
2.	გ. ჯაიანი	On Elastic Thin Structures with Complicated Geometry	ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტის მექანიკის ინსტიტუტის სემინარი, 7 ივლისი, 2015, ბერლინი, გერმანია
მოხსენების ანოტაცია მოხსენება ეხება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტის (გრანტის) №30/28 (2013-2015) "პრაქტიკაში გავრცელებული რთული გეომეტრიის მქონე კონსტრუქციების მოდელირება და გათვლა" ფარგლებში მიღებულ შედეგებს, სახელდობრ, ფენოვანი პრიზმული გარსების იერარქიულ მოდელებს (ორ ვერსიას) და ორი და სამი მართობულად დაკავშირებული ღეროებისაგან შედგენილ სტრუქტურებს. ღეროები და პრიზმული გარსების ფენები დრეკადია და შეიძლება იყოს წამახვილებული.			
3.	ნ. ჩინჩალაძე	On a mathematical problem of cusped double-layered plates	86th Annual Meeting of the International Association of Applied Mathematics and Mechanics March 23-27, 2015, Lecce, Italy
მოხსენების ანოტაცია მოხსენებაში განხილულია ორფენოვანი წამახვილებული პრიზმული გარსები იერარ–ქიული მოდელების ნულოვან მიახლოებაში.			
4.	ე. ნადარაია, გ. სოხაძე	Integral Functionals of a Density	International Conference "Probability, Reliability and Statistics, PRESTO-2015", 7-11 April, Kiev, Ukraine
მოხსენების ანოტაცია მოხსენებულ იქნა ალბათური განაწილების ინტეგრალური ფუნქციონალების შეფასების პრობლემა. მოყვანილ იქნა ავტორების მიერ მიღებული ახალი შედეგები ამ მიმართულებით.			
5.	რ. კაკუბავა, გ. სოხაძე	Two-Line Closed Queuing System for Service of Replacements and Renewals	International Conference "Probability, Reliability and Statistics, PRESTO-2015", 7-11 April, Kiev, Ukraine

მოხსენების ანოტაცია

დასმული იყო ორ არხიანი ტიპის ზოგადი ამოცანა მასიური მომსახურების თეორიიდან. გაცნობილ იქნა ავტორების შედეგები ამ მიმართულებით.

6.	თ. ვაშაყმაძე	To Approximate Solution of Ordinary Differential Equations	3rd International Conference on AMAT, May 28-31, 2015, Ankara, Turkey

მოხსენებია ანოტაცია

მოხსენება შედგება 4 ნაწილისაგან: (1)კოშის ამოცანის მიახლოებითი ამოხსნის შესახებ გაუს-ერმიტის მდგრადი მეთოდით ჩვეულებრივი დიფერენციალურ განტოლებათა სისტემისათვის;

(2) მცირე პარამეტრიანი განზოგადებული ამონახსნის შემთხვევაში II რიგის დიფერენციალური განტოლებისათვის სასაზღვრო ამოცანის მიახლოებით ამოხსნის შესახებ; (3) კოშის ამოცანის მიახლოებითი ამოხსნის შესახებ წილად-წარმოებულიანი დაგვიანებული ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებისათვის; (4) პირველი რიგის ჰიპერბოლურ განტოლებათა სისტემის მაღალი სიზუსტის მეთოდით მიახლოებითი ამოხსნის შესახებ.

7.	ა. ხარაზიშვილი	Acute Triangles in the context of the Illumination problems	12th International Conference on Geometry and Applications, 1-6 September, 2015, Varna, Bulgaria

მოხსენების ანოტაცია

ნაჩვენებია, რომ n – განზომილებიან ევკლიდურ სივრცეში არსებობს n – განზომილებიანი ამოზნექილი კომპაქტური სხეული, რომლის საზღვარი არის გლუვი, გარდა სასრული რაოდენობა სინგულარული წერტილებისა და რომლის განათებისათვის აუცილებელია არანაკლებ k(n) რაოდენობა სხივებისა, სადაც k(n) სიდიდის რიგი ექსპონენციალურია n – ის მიმართ.

8.	უ. გოგინავა	On the Strong Summability of Walsh-Fourier Series, Workshop on Function spaces	Harmonic Analysis and Related Topics on the occasion of the 67th birthday of Professor Viktor Kolyada, April 27-30, 2015, Karlstad, Sweden

მოხსენების ანოტაცია

განხილულია ფურიეს მწკრივების თითქმის ყველგან ძლიერად შეჯამებადობის საკითხები.

9.	უ. გოგინავა	On the summability of Walsh-Fourier series	Georgian-Hungarian joint work–shop on Dyadic Analysis and Related Fields, 30 May -5 June, 2015, Nyireguhaza, Hungary

მოხსენების ანოტაცია

განხილულია ფურიე-უოლშის ჯერადი მწკრივების ლოგარითმული საშუალოებით შეჯამებადობის საკითხები.

10.	უ. გოგინავა	On the Convergence of double Fourier series of Functions of	Singular PDF's , Analytical tools and Applications, 24-27 June,

		Bounded Partial Generalized Variation	2015, Male Ciche, Poland
		მოხსენების ანოტაცია განხილულია განზოგადოებული სასრული ვარიაციის ფუქციები და შესწავლილია მათი ფურიეს მწკრივების წერტილში კრებადობის საკითხები.	
11.	თ. თადუმაძე	Initial data optimization problems for some classes of neutral functional differential equations: variation formulas of solution, necessary condition of optimality, existence theorems	Israeli-Georgian Workshop On Functional Differential Equations, 25 February and 2 March, 2015, Ariel University, Israel
		მოხსენების ანოტაცია წარმოებულის წინაისტორიის მიმართ წრფივი ნეიტრალური დიფერენციალური განტოლებისთვის დამტკიცებულია ამონახსნის უწყვეტობა საწყისი მონაცემების მიმართ. მიღებულია ამონახსნის ვარიაციის ფორმულები, სადაც გამოვლენილია ცვლადი დაგვიანების ფუნქციისა და საწყისი მომენტის ვარიაციის, წყვეტილი საწყისი პირობის ეფექტები. დადგენილია საწყისი მონაცემების ოპტიმალურობის აუცილებელი პირობები. დამტკიცებულია ოპტიმალური საწყისი მონაცემების არსებობის თეორემები.	
12.	რ. კოპლატაძე	On Higher Order Generalized Emden-Fowler Differential Equations with Delay Argument	Israeli-Georgian Workshop On Functional Differential Equations, 25 February and 2 March, 2015, Ariel University, Israel
		მოხსენების ანოტაცია განხილულია დაგვიანებულ არგუმენტიანი ემდენ-ფაულერის განზოგადოებული დიფერენციალური განტოლება. გამოყოფილია ე.წ. თითქმის წრფივი და არსებითად არაწრფივი განტოლებები, რომლებიც შესაბამისად წარმოადგენს წრფივ და ემდენ-ფაულერის არაწრფივ დიფერენციალურ განტოლებათა გაფართოებას. დადგენილია განზოგადოებულ განტოლებათა ამონახსნების ყოფაქცევა უსასრულობის მიდამოში.	
13.	ჯ. გვინერი, დ. ნატროშვილი	Coupled Contact Problems in Piezoelectricity – Mathematical Modelling and Boundary Element Approximation of Higher Order	VI International Conference on Coupled Problems in Science and Engineering, 18-20 May, 2015, Venice, Italy
		მოხსენების ანოტაცია მოხსენებაში განხილულია დრეკადობის თეორიის სამგანზომილებიანი უნილატერალური საკონტაქტო ამოცანები პიეზოელექტრული სხეულებისათვის ხახუნის გათვალისწინებით. ნაჩვენებია ამოცანების სუსტი ამონახსნების ერთადერთობისა და არსებობის თეორემები. დამტკიცებულია ამონახსნის უწყვეტად დამოკიდებულება ამოცანის მონაცემებზე და ხახუნის კოეფიციენტზე. იმ შემთხვევაში, როდესაც სხეული არ არის ჩამაგრებული საზღვრის რაიმე ნაწილის გასწვრივ და განიცდის მხოლოდ ძალების ზემოქმედებას, დადგენილია ამოცანის ამოხსნადობის აუცილებელი და საკმარისი პირობები, რომლებიც ცხადი სახითაა ამოწერილი.	

14.	დ. ნატროშვილი	Acoustic scattering by inhom–ogeneous anisotropic obstacle: Boundary-domain integral equ–ation approach.	The 12-th International Confe–rence on Mathematical and Num–erical Aspects of Wave Prop–agation 2015, 20-24 July, Karlsruhe, Germany

მოხსენების ანოტაცია

ნაშრომში განხილულია აკუსტიკური ტალღების გაბნევის მათემატიკური ამოცანები, როდესაც ამრეკლავი წინაღობა წარმოდგენს ანიზოტროპულ არაერთგვაროვან გარემოს. განხილულია შემთხვევა, როდესაც ფიზიკური პარამეტრები წყვეტილია ერთგვაროვანი და არერთგვაროვანი ნაწილების გამყოფ ზედაპირზე. ამოცანები შესწავლილია ახლად დამუშავებული სასაზღვრო-სივრცული ლოკალიზებული განტოლებების თეორიის გამოყენებით, რომელიც დაფუძნებულია ლოკალიზებული პარამეტრიქსის საშუალებით აგებული განზოგადებული პოტენციალებისა და მათი შესაბამისი ინტეგრალური და ფსევდოდიფერენციალური ოპერატორების თვისებებზე. დამტკიცებულია შესაბამისი ტრანსმისიის ამოცანების ამონახსნთა არსებობისა და ერთადერთობის თეორემები რხევის პარამეტრის ნებისმიერი მნიშვნელობისათვის.

15.	ჯ. როგავა, დ. გულუა	Reduction four-layer semi- discrete scheme for an evo–lutionary equation to two- layer schemes and error estimates of the approximate solutions	Workshop, Lie Groups, Dif–ferential Equations and Geo–metry, Supported by Marie Curie's International Research Staff Exchange Scheme Grant FP7 – PEOPLE - 2012-IRSES-317721, 14 July - 25 August, 2015, Palermo, Italy

მოხსენების ანოტაცია

ჰილბერტის სივრცეში აბსტრაქტული ევოლუციური განტოლებისთვის განხილულია კოშის ამოცანა. ამ ამოცანის აპროქსიმაცია ხდება არაცხადი ოთხშრიანი ნახევრადდისკრეტული სქემის საშუალებით, რომელიც შეშფოთების ალგორითმის გამოყენებით დაიყვანება ორშრიან სქემებზე. ამ სქემების ამოხსნის გზით იგება გამოსავალი ამოცანის მიახლოებითი ამონახსნი. შეფასებულია მიახლოებითი ამონახსნის ცდომილება.

16.	გ. ფანცულაია	On some applications of Haar ambivalents in mathematical statistics	The 43th Winter School in Abstract Analysis, 10 - 17 January, 2015, Svratka, Czech

მოხსენების ანოტაცია

ინვარიანტული მეტრიკით აღჭურვილ არალოკალურად-კომპაქტურ პოლონურ ჯგუფებზე აგებულია არსებითად ახალი კლასი სტატისტიკური სტრუქტურების, რომელთაც გააჩნიათ უცნობი პარამეტრის ობიექტური და ძლიერად ობიექტური ძალდებული შეფასებები. აგებულია სუსტად განცალებადი სტატისტიკური სტრუქტურის ისეთი მაგალითი, რომლისთვისაც ძალდებული შეფასების არსებობის საკითხი გადაუჭრელია (ZF) & (DC) აქსიომათა სისტემაში. აგებულია ობიექტური და ძლიერად ობიექტური ძალდებული შეფასებების მქონე სტატისტიკური სტრუქტურების მაგალითები კომპაქტურ პოლონურ $\{0,1\}^{\infty}$ ჯგუფში.

17.	ქ. ყაჭიაშვილი	Constrained Methods of Bayes Type of Composite Hypotheses Testing	International Conference on Sta-tistics for Twenty-first Century [ICSTC-2015] 17-19 Decem–

			ber, 2015, Trivandrum, India

მოხსენების ანოტაცია

მოხსენებაში განხილულია პრობლემა, რომელიც წარმოიშვება რთული ჰიპოთეზის შემოწმებისას კლასიკური ბაიესის მეთოდით და რომელიც ცნობილია ლინდლის პარადოქსის სახელით. კლასიკური ბაიესის მეთოდთან ერთად აპრიორული ალბათობების თავისუფალი შერჩევისას განხილულია პარადოქსის გვერდის ავლის მიზნით აპრიორული ალბათობების ბერნარდოს მიერ შემოთავაზებული შერჩევის წესი და მოხსენების ავტორის მიერ შემოთავაზებული პირობითი ბაიესის მეთოდი. ამ მიდგომების დადებითი და უარყოფითი მხარეები არის ნაჩვენები. თეორიულად და სპეციალური მაგალითების (რომლებშიაც ადგილი აქვს ლინდლის პარადოქს) გამოთვლის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ პირობითი ბაიესის მეთოდი თავისუფალია ნახსენები პრობლემისაგან. მას აქვს ახალი, ორიგინალური თვისებები, რომლებიც დაკავშირებულია მოცემული დონის პირველი და მეორე ტიპის შეცდომების მქონე ალბათობებით ჰიპოთეზების მიღების არეების ორიგინალურ თვისებებთან. დათვლილი პრაქტიკული მაგალითები ნათლად აჩვენებენ პირობითი ბაიესის მეთოდის მაღალ თვისებებს და საიმედობას. კრიტიკულ სიტუაციებში, როდესაც სხვა მეთოდები იძლევიან საპირისპირო გადაწყვეტილებებს, პირობითი ბაიესის მეთოდი იძლევა ყველაზე ლოგიკურ გადაწყვეტილებას.

18.	თ. ჯანგველაძე, ზ. კიღურაძე, მ. კრაწაშვილი	One Nonlinear Model Based on Maxwell System	39th Annual SIAM Southeas–tern Atlantic Section Conferen–ce, University of Alabama in Birmingham, 20-22 March, 2015, Birmingham, Alabama, USA

მოხსენების ანოტაცია

გამოკვლეულია მაქსველის განტოლებათა სისტემაზე დაფუძნებული გარემოში ელექტრომაგნიტური ველის დიფუზიის პროცესის აღმწერი მოდელი. შესწავლილია შესაბამისი საწყის-სასაზღვრო ამოცანების ამონახსნების ასიმპტოტური ყოფაქცევა დროითი ცვლადის უსასრულოდ ზრდისას.

19.	თ. ჯანგველაძე, ზ. კიღურაძე, გ. ასანიშვილი, გ. ჯანგველაძე	On One System of Nonlinear Multidimensional Partial Dif–ferential Equations	39th Annual SIAM Southe–astern Atlantic Section Confe–rence, University of Alabama in Birmingham, 20-22 March, 2015, Birmingham, Alabama, USA

მოხსენების ანოტაცია

განხილულია არაწრფივი კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებათა მრავალგანზომილებიანი სისტემა, რომელიც ორგანზომილებიან შემთხვევაში აღწერს მცენარეთა ფოთლებში ძარღვოვან განვითარების პროცესს. შესწავლილია ცვალებადი მიმართულების სხვაობიანი სქემის აბსოლიტურად მდგრადობისა და კრებადობის საკითხები. მოცემულია კრებადობის რიგი. ჩატარებულია მრავალი რიცხვითი ექსპერიმენტი და მიღებული შედეგებისა და თეორიული დასკვნების შედარებითი ანალიზი. მოცემულია შესაბამისი გრაფიკული ილუსტრაციები.

20.	თ. ჯანგველაძე	On Two Nonlinear Partial Integro-Differential Models	4th International Conference on Applied and Computational Mathematics, 5-7 September, 2015, Seoul, Korea

მოხსენების ანოტაცია

ელექტრომაგნიტური ველის დიფუზიის პროცესის აღმწერი ორი კერძოწარმოებულებიანი ინტეგრო-დიფერენციალური მოდელისათვის განხილულია შესაბამისი საწყის-სასაზღვრო ამოცანების ამონახსნების ასიმპტოტური ყოფაქცევა დროითი ცვლადის უსასრულოდ ზრდისას. აგებული და შესწავლილია შესაბამისი დისკრეტული ანალოგები. ჩატარებულია მრავალი რიცხვითი ექსპერიმენტი. მოყვანილია შედეგების გრაფიკული ილუსტრაციები და მათი ანალიზი.

21.	ი. ქარდავა, ჯ. ანთიძე, ნ. გულუა	Solving the Problem of the Accents for Speech Reco–gnition Systems	5th International Conference on Computer Communication and Management,18-19 May, 2015, Rome, Italy

ანოტაცია

მოხსენებაში გაკეთებული შემოთავაზება შექმნილია ადამიანის ამოსაცნობად მისი ბიომეტრიული მონაცემების მიხედვით.

22.	მ. ბერიაშვილი	სიმრავლურ-თეორიული მეთოდების ზოგიერთი გამოყენება ზომის თეორიაში	მათემატიკის მე-19 სემინარი, სიმრავლეთა თეორიის მე-8 ახალგაზრდული კონფერენცია, 24-30 ოქტომბერი, 2015, ისრაელი, იერუსალიმი

მოხსენების ანოტაცია

მოხსენებაში წარმოდგენილი იყო ზომადობის სხვადასხვა მოდიფიკაციები სირმავლურ-თეორიულ ასპექტში და ამ მიდგომებით განხილული იყო სხვადასხვა წერტილოვან სიმრავლეთა ზომადობის საკითხები.

23.	მ. ბერიაშვილი	დამატებითი სიმრავლურ-თეორიული აქსიომების ზოგიერთი გამოყენება ზომის თეორიაში	ჰაიდელბერგის ლაურეატთა მესამე ფორუმი, 23-28 აგვისტო, 2015, ჰაიდელბერგი, გერმანია

მოხსენების ანოტაცია

მოხსენებაში წარმოდგენილია დამატებით-სიმრავლურ თეორიულ აქსიომებზე დაყრდნობით აგებული რამდენიმე პარადოქსალური სიმრავლე და მათი ურთიერთკავშირები და დამოკიდებულებები. წარმოდგენილია ასეთი სიმრავლეების ზომადობის თვისებები.

24.	ბ. დუნდუა	DeclarativeProgrammingwithSequenceandContextVariables	VII Workshop de Matemática Aplicada, 5-6 February 2015, Brasilia, Brazil.

მოხსენების ანოტაცია

მიმდევრობებისათვის და კონტექსტებისათვის განისაზღვრა დეკლარაციული პროგრამირების სხვადასხვა პარადიგმები. ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით, შეიქმნა შეკუმშული მიმდევ–რობის ამოხსნის ალგორითმი, რომელიც ინტეგრირებულ იქნა შესწავლილ პარადიგმებში.

25.	მ. რუხაია	Theorem Proving in Formula Schemata	Fourth Workshop on Proof Exchange for Theorem Proving (part of CADE 25), 2-3 August,

			Berlin, Germany
მოხსენების ანოტაცია მოხსენებაზე წარმოდგენილი იქნა ფორმულათა სქემები და მათთვის თეორემათა დამტკიცების ალგორითმი, აგრეთვე ამ ალგორითმის კომპიუტერული რეალიზაცია.			
26.	ხ. ჩარგაზია, ო. ხარშილაძე	შიდა გრავიტაციური ტალღების ტრანზიენტული ზრდა იონოსფეროში წანაცვლებითი დინებების არსებობისას	EGU გენერალური ასამბლეა 2015, 12-17 აპრილი, ვენა, ავსტრია
მოხსენების ანოტაცია შესწავლილია შიდა გრავიტაციური ტალღების (შგტ) გაძლიერებისა და ტრანზიენტული ზრდის წრფივი მექანიზმი უწყვეტად სტრატიფიცირებულ იონოსფეროში არაერთგვაროვან ქარებთან უერთიერთქმედებისას. ნაჩვენებია, რომ შგტ-ს გაძლიერება დროის მიხედვით მიმდინარეობს არა ექსპონენციალურად, არამედ ხარისხოვანი წესით.			
27.	ხ. ჩარგაზია, ო. ხარშილაძე	ზონალური დინებებისა დიდმასშტაბიანი მაგნიტური ველების არაწრფივი გენერაცია უდს ტალღების მიერ, სატელიტური მონაცემების ანალიზი	გეოდეზიისა და გეოფიზიკის საერთაშორისო კავშირის 26-ე გენერალური ასამბლეა, 22 ივნისი - 2 ივლისი, 2015, პრაღა, ჩეხეთი
მოხსენების ანოტაცია შესწავლილია ტურბულენტურ არაერთგვაროვანი ფონური ქარებით მართულ იონოსფეროში ზონალური დინებისა და მაგნიტური ველების არაწრფივი გენერაცია. შესწავლილია არაწრფივი (სკალარული და ვექტორული) ეფექტების როლი სასრული ამპლიტუდის მქონე დამაგნიტებული ტალღების მიერ დიდმასშტაბიანი ზონალური დინებებისა და მაგნიტური ველების ფორმირებაში დისიპაციურ იონოსფეროში. გამოყენებულ იქნა მოდიფიცირებული პარამეტრული მოდგომა. გამოკვლეულია უდს ტალღების ურთიერთტრანსფორმაციის ამოცანა წანაცვლებითი დინებებით განპირობებულ იონოსფეროში. ჩატარებულ იქნა რეალურ სატელიტურ მონაცემთა ანალიზი.			
28.	ხ. ჩარგაზია, ო. ხარშილაძე	ფონური არაერთგვაროვანი ქარის გავლენა დიდმასშტაბიანი ზონალური დინების გენერაციაზე უდს ტალღების მიერ	ევროპის პლანეტარულ მეცნიერებათა კონგრესი EPSC-2015, 27 სექტემბერი – 2 ოქტომბერი, 2015, ნანტი, საფრანგეთი
მოხსენების ანოტაცია შესწავლილია არაერთგვაროვანი ფონური ქარებით მართულ იონოსფეროში ზონალური დინების გენერაცია. შესწავლილია არაწრფივი (სკალარული და ვექტორული) ეფექტების როლი სასრული ამპლიტუდის მქონე ულტრა დაბალი სიხშირის (უდს) მოდების მიერ დიდმასშტაბიანი ზონა–ლური დინებების ფორმირებაში დისიპაციურ იონოსფეროში. გამოვლენილ იქნა შედარებით მცირე მასშტაბიანი უდს ტალღიდან და ფონური ქარებიდან ენერგიის დიდმასშტაბიან ზონალურ დინებებში გადაქაჩვის თავისებურებები. ნაჩვენებია, რომ ზონალური დინების გენერაცია განპირობებულია სასრულ ამპლიტუდიანი დამაგნიტებული როსბის ტალღის რეინოლდსის ძაბვით და ფონური წანაცვლებითი დინების ზემოქმედებით.			

29.	ნ.ხატიაშვილი	ქვანტური ბილიარდის შესახებ ჰექსაგონალური ტიპის არეებისთვის	ამერიკის მათემატიკური საზოგადოების ყოველწლიური ყრილობა, 10–13 იანვარი, 2015, სან–ანტონიო, აშშ

მოხსენების ანოტაცია

გამოკვლეულია ქვანტური ბილიარდის პრობლემა ჰექსაგონალური ტიპის არეებში, კერძოდ, ჰექსაგონი ჰექსაგონალური ჭრილით, ჰექსაგონალური ზოლი, ჰექსაქგონალური ყვავილი და ჰექსაგონალური პრიზმოიდი. ეს პროცესი აღწერილია ჰელმჰოლცის განტოლებით ერთგვაროვანი სასაზღვრო პირობებით. კონფორმულ ასახვათა მეთოდით ჰელმჰოლცის განტოლება მიყვანილია ელიფსური ტიპის განტოლებაზე მართკუთხედში. მიღებულია სპექტრი და შესაბამისი საკუთრივი ფუნქციები. შედეგები გამოყენებულია გრაფენში ელექტრონის ენერგეტიკული დონეების შესაფასებლად.

30.	ნ. ხატიაშვილი	სოლიტონურ ტალღებთან დაკავშირებული ერთი არაწრფივი ელიფსური განტოლების შესახებ	ინდუსტრიული და გამოყენებითი მათემატიკის საზოგადოების საერთაშორისო კონფერენცია, SIAM, 10 დეკემბერი, 2015, ფენიქსი, აშშ

მოხსენების ანოტაცია

უსასრულო არეში განხილულია შრედინგერის განტოლებასთან დაკავშირებული არაწრფივი ელიფსური განტოლება. მიღებულია ამ განტოლების ამონახსნები, რომლებიც ექსპონენციალურად ქრობადია უსასრულობაში. ამ ამონახსნების გამოყენებით აგებულია სიმეტრიული სოლიტონების პროფილი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში 2015 წლის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ანგარიში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში 2015 წელს გაგრძელდა მუშაობა გრძელვადიანი პროექტის ფარგლებში, ზოგადი სახელწოდებით: "სამართლებრივი სახელმწიფოს განვითარება და თანამედროვე გამოწვევები ქართული სამართლის ევროპეიზაციის კონტექსტში". მუშაობა აღნიშნულ კვლევით პროგრამაზე ინსტიტუტის ოთხი განყოფილების ბაზაზე წარიმართა. ეს განყოფილებებია – სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის, კერძო სამართლის, სამართლის ისტორიისა და თეორიის, საკონსტიტუციო და საერთაშორისო სამართლის განყოფილებები. განყოფილებების თანამშრომლები თემატურად ამუშავებდნენ კონკრეტულ დისციპლინურ ფარგლებში შემავალ საკითხებს, დაკავშირებულს ზოგად სამეცნიერო პროგრამასთან.

2015 წლის მანძილზე გარდა კონკრეტული თემების დამუშავებისა და პუბლიკაციების მომზადებისა, ინსტიტუტის თანამშრომლებმა წაიკითხეს სამეცნიერო მოხსენებები როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ გამართულ სამეცნიერო ფორუმებზე, კონფერენციებსა და კონგრესებზე. 2015 წლის 12 ნოემბერს ინსტიტუტმა უმასპინძლა თინათინ წერეთლისა და ვლადიმერ მაყაშვილის 110-ე საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ კონფერენციას, რომელზეც მოხსენებებით წარსდგნენ როგორც ინსტიტუტის თანამშრომლები, ასევე მოწვეული მომხსენებლები. ღონისძიებას დაესწრნენ როგორც იურიდიული მეცნიერების, ასევე პრაქტიკის წარმომადგენლები და სხვადასხვა უნივერსიტეტის თანამშრომლები. იგეგმება წაკითხული მოხსენებების გამოქვეყნება კრებულის სახით.

თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი აგრძელებს თანამშრომლობას უცხოეთის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან. ამ თანამშრომლობის შედეგია 2016 წლის მაისის თვეში დაგეგმილი საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ინსტიტუტის ბაზაზე ჩატარდება. კონფერენციის სახელწოდებაა "კონსტიტუციონალიზმი, სამართლის უზენაესობა და კონფლიქტის პოლიტიკა". ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ მეცნეირები ნიდერლანდებიდან, ესპანეთიდან, ავსტრალიიდან, პოლონეთიდან. ღონისძიების თანაორგანიზატორები არიან თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, სამართლის სოციოლოგიის საერთაშორისო ინსტიტუტი (ესპანეთი) და სამართლებრივი განათლებისა და სოციალური თეორიის ცენტრი (პოლონეთი). ღონისძიების მხარდამჭერია *ჰააგის სამართლის უზენაესობის ჟურნალი.*

ქვემოთ მოცემულია ინსტიტუტის ანგარიში თითოეული განყოფილების ბაზაზე შესრულებული სამუშაოებისა და პუბლიკაციების მითითებით.

I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	სისხლის სამართლის, კრიმინოლოგიის და სისხლის საპროცესო სამართლის აქტუალური საკითხები ევროპეიზაციის კონტექსტში	პროფ. ოთარ გამყრელიძე	ოთარ გამყრელიძე თამარ ებრალიძე გიორგი ღლონტი გიორგი თოდრია ედიშერ ფუტკარაძე თემურ ცქიტიშვილი
განყოფილების ბაზაზე გაგრძელდა მუშაობა სისხლის სამართლის ევროპეიზაციის პრობლემებთან დაკავშირებით. მომზადდა საგრანტო პროექტი სასჯელების შესახებ. გამოქვეყნდა ნაშრომები, მიძღვნილი მატერიალური და საპროცესო სისხლის სამართლის პრობლემებისადმი, კრიმინოლოგიის აქტუალური საკითხებისადმი. დამუშავდა ტრანსნაციონალური სისხლის სამართლის ცნება და სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის განმსაზღვრელი საკითხები.			

2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	კერძო სამართლის აქტუალური საკითხები ევროპეიზაციის კონტექსტში	პროფ. ბესარიონ ზოიძე	ბესარიონ ზოიძე ლალი ლაზარაშვილი გია ლილუაშვილი თამარ ზოიძე
განყოფილების ბაზაზე გაგრძელდა მუშაობა კერძო სამართლის ევროპეიზაციის პრობლემებთან დაკავშირებით. გამოქვეყნდა კაზუსების სახელმძღვანელო სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. დაცულ იქნა დისერტაცია წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ, რაც მონოგრაფიის სახით დაიბეჭდება. ტრანსნაციონალური კერძო სამართლის მაგალითზე დამუშავდა ინტერნეტ-რეგულაციის და საერთაშორისო კერძო არბიტრაჟის პრობლემები.			

3.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	საკონსტიტუციო და საერთაშორისო სჯარო სამართლის აქტუალური საკითხები ევროპეიზაციის კონტექსტში	პროფ. იაკობ ფუტკარაძე	იაკობ ფუტკარაძე ლევან იზორია მინდია ვაშაყმაძე კონსტანტინე კორკელია
განყოფილების ბაზაზე გაგრძელდა მუშაობა საკონსტიტუციო სამართლის ევროპეიზაციის პრობლემებთან დაკავშირებით. გამოსაცემად მომზადდა კრებული ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის შესახებ. დაიბეჭდა საპოლიციო სამართლის პირველი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე. დამუშავდა ზესახელმწიფოებრივი კონსტიტუციონალიზმის პრობლემები ევროპის კავშირის კონსტიტუციის მაგალითზე. სამართლის გლობალიზაციის პრობლემებთან დაკავშირებით გამოიკვეთა და დამუშავდა საერთაშორისო სჯარო და კერძო საერთაშორისო სამართლის განვითარების ტენდენციები.		

4.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	სამართლის ისტორიისა და თეორიის საკითხები ევროპული სამართლის ევოლუციის კონტექსტში	პროფ. გიორგი ხუბუა	გიორგი ხუბუა გოჩა ფერაძე ლია ადეიშვილი გიორგი რუსიაშვილი
განყოფილების ბაზაზე გაგრძელდა მუშაობა ევროპული სამართლის ისტორიული ევოლუციის და ქართული სამართლის ევროპული საფუძვლების პრობლემებთან დაკავშირებით. დაიბეჭდა სამართლის თეორიის სახელმძღვანელო (მე-2 გამოცემა). დაიბეჭდა სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი III. დასაბეჭდად მზადდება ამავე სერიის წიგნი IV. ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოქვეყნდა ნიკლას ლუმანის და ჰაროლდ ჯ. ბერმანის ნაშრომები (გერმანულიდან და ინგლისურიდან).		

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ზოიძე თამარ	წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება (ქართული და გერმანული სამართლის შედარებითი ანალიზი)	ნაშრომი გამოცემის პროცესშია, დასრულდა 2015 წელს და დაცულ იქნა დისერტაციის სახით თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე	

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	იზორია ლევან	საპოლიციო სამართალი	თბილისი, შსს აკადემია, 2015	376 გვ.
2	ხუბუა გიორგი	სამართლის თეორია, მეორე გამოცემა	თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 2015	219 გვ.
3	რუსიაშვილი გიორგი	კაზუსები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, შედარებითი სამართლებრივი მიმოხილვა	თბილისი, გამომცემლობა იურისტების სამყარო, 2015	286 გვ.
სახელმძღვანელოები განკუთვნილია საუნივერსიტეტო იურიდიული განათლებისთვის და ასევე შესაბამისი საკითხებით დაინტერესებული სპეციალისტებისა და იურიდიული პრაქტიკის წარმომადგენლებისთვის. საპოლიციო სამართლის სახელმძღვანელო				

(თანაავტორი ლევან იზორია) პირველი გამოცემაა ამ დარგში. სამართლის თეორიის სახელმძღვანელო (მეორე გამოცემა, ავტორი გიორგი ხუბუა) გადამუშავებული ტექსტია პირველი გამოცემისა. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილის კაზუსები (ავტორი გიორგი რუსიაშვილი) შესრულებულია შედარებითი სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით.

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	რედაქტორი გოჩა ფერაძე	სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები. წიგნი III.	თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 2015	794 გვ.
2	რედაქტორები ლაშა ბრეგვაძე და თემურ ცქიტიშვილი	პროფ. ოთარ გამყრელიძის მე-80 იუბილესადმი მიძღვნილი კრებული	თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 2015	560 გვ.

პირველ კრებულში შესულია სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიისადმი მიძღვნილი ნაშრომები, შესრულებული წამყვანი ქართველი მკვლევარების მიერ. კრებული ეძღვნება პროფ. ივ. სურგულაძის ხსოვნას. ეს ამ სერიის III წიგნია. იგეგმება სერიის გაგრძელება. ამჟამად მზადების პროცესშია სერიის IV წიგნი, რომელიც პროფ. ისიდორე დოლიძის ხსოვნას მიეძღვნება.

მეორე კრებული ეძღვნება პროფ. ოთარ გამყრელიძეს და ასახავს მის მნიშვნელოვან დამსახურებას ქართული სისხლის სამართლის განვითარების საქმეში. კრებულში შესულია საქართველოში სისხლის სამართლის სფეროში გამოჩენილი მკვლევარების ნაშრომები და განკუთვნილია როგორც აკადემიური სექტორის, ასევე იურიდიული პრაქტიკის წარმომადგენლებისთვის.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1	გამყრელიძე ოთარ	სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხები პოლიტიკური სისტემების ცვალებადობის მიხედვით საქართველოში. კრებულში: „სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები“. წიგნი III.		თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი
2	გამყრელიძე ოთარ	მცირე მოგონება. კრებულში: „სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები“. წიგნი III.		თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი
3	გამყრელიძე ოთარ	მკითხველმა განსაჯოს. სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“	2015, № 1 (20)	
4	გამყრელიძე	ოცდათოთხმეტი წლის	2015, № 2 (21)	

	ოთარ	შემდეგ დადებული მსჯავრი. სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი”		
5	გამყრელიძე ოთარ	მოსყიდვა ქვემოდან თუ მოსყიდვა ზემოდან /მე-2 ნაწილი/. ჟურნალი: „ადვოკატი“, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ჟურნალი	2015, № 1-2	
6	გამყრელიძე ოთარ	სასჯელი სამართლიანი და სასჯელი უსამართლო. სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი” 2015 №3	2015, № 3	
7	ზოიძე ბესარიონ	კონსტიტუციური ნორმების კონსტიტუციურობის შემოწმების პრობლემები, ჟურნალში: საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა	2015, № 8	
8	ზოიძე თამარ	საკუთრების უფლების ცნება და შინაარსი, ჟურნალში: კერძო სამართლის მიმოხილვა	2015, № 1	
9	ადეიშვილი ლია	სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ძველ ქართულ სამართალში.		თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი

		კრებულში: „სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები“. წიგნი III.		
10	ბრეგვაძე ლაშა	თავისუფალი სამართლის სკოლის ჩამოყალიბება და განვითარება: საკანონმდებლო და სპონტანური მოწესრიგების დილემები. კრებულში: „სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები“. წიგნი III.		თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი
11	ბრეგვაძე ლაშა	სამართალი და განვითარება: სამართლებრივი ევოლუცია სოციალური ინჟინერიის წინააღმდეგ. კრებულში: ოთარ გამყრელიძე – 80. საიუბილეო გამოცემა		თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი
12	ბრეგვაძე ლაშა (თარგმანი ინგლისურიდან, ავტორი ჰაროლდ ჯ. ბერმანი)	მსოფლიო სამართალი, სამართლის ჟურნალი	2015, № 1	
13	ბრეგვაძე ლაშა (თარგმანი გერმანულიდან, ავტორი ნიკლას	სახელმწიფოსა და საზოგადოების განსხვავება, სამართლის ჟურნალი	2015, 2	

	ლუმანი)			
14	ფერაძე გოჩა	სამართლის ისტორიის მეცნიერული კვლევის სათავეებთან /წერილი ეძღვნება პროფესორ ივანე სურგულაძის ნათელ ხსოვნას/. კრებულში: „სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები“. წიგნი III.		თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი
15	ფერაძე გოჩა	უძველესი სასამართლო პროცესი ქართველი სახელმწიფო ბრალმდებლების მონაწილეობით. კრებულში: „სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები“. წიგნი III.		თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი
16	თოდრია გიორგი	დანაშაულის ნეგაციის თეორია: ფიქრები კრიმინოლოგიაში „მივიწყებული ყოფიერების“ პრობლემის დაძლევის გზებზე. კრებულში: „სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები“. წიგნი III.		თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი
17	თოდრია			თბილისი,

	გიორგი	სისხლის სამართლის პოლიტიკის ტენდენციები საქართველოში. კრებულში: ოთარ გამყრელიძე – 80. საიუბილეო გამოცემა		გამომცემლობა მერიდიანი
18	ჭანტურია ლადო	ქართული სამართალი და განვიტარების ალტერნატივები. კრებულში: ოთარ გამყრელიძე – 80. საიუბილეო გამოცემა		თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი
19	ჭანტურია ლადო	„მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის რეფორმის ძირითადი მიმართულებები. კრებულში: „სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები“. წიგნი III.		თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი
20	ებრალიძე თამარ	დანაშაულის პროვოკაცია. კრებულში: ოთარ გამყრელიძე – 80. საიუბილეო გამოცემა		თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი
21	ღლონტი გიორგი	ქრთამის პროვოკაცია (კანონმდებლობის სრულყოფისათვის). კრებულში: ოთარ გამყრელიძე – 80.		თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი

		საიუბილეო გამოცემა		
22	ცქიტიშვილი თემურ	დანაშაულის მცდელობისა და საფრთხის შემქმნელი დელიქტების ურთიერთმიმართება. კრებულში: ოთარ გამყრელიძე – 80. საიუბილეო გამოცემა		თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი
23	ცქიტიშვილი თემურ	სიმთვრალეში განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების კვალიფიკაციისათვის (ისტორიული და შედარებით-სამართლებრივი ასპექტები). კრებულში: „სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები“. წიგნი III.		თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი
24	ცქიტიშვილი თემურ	დამნაშავის წარსული ნასამართლობის მნიშვნელობა პროპორციული სასჯელის შესაფარდებლად. „სამხრეთ კავკასიის იურიდიული ჟურნალი“	2015, № 6	
25	ფუტკარაძე ედიშერ	სასჯელის სამართლებრივი	2015, № 1 (20)	

		რეგულირება და სასამართლო პრაქტიკა საქართველოში. სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“		
26	ფუტკარაძე ედიშერ (თანაავტორი)	სისხლისსამართლებრივი სანქციები ქართველ სტუდენტთა შეფასებით. კრებულში: ოთარ გამყრელიძე – 80. საიუბილეო გამოცემა		თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი
27	ლილუაშვილი გია	კერძო საკუთრების სამართლებრივი რეგულირება საქართველოს სსრ პირველ სამოქალაქო სამართლის კოდექსში. კრებულში: „სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები“. წიგნი III.		თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი
28	ლილუაშვილი გია	სასამართლო გადაწყვეტილების სოციალური მნიშვნელობა. ჟურნალში: „სამართალი და მსოფლიო“, საერაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი, სპეციალური გამოცემა.	2015, № 2	

29	ფუტკარაძე იაკობ	კომპოზიციების სისტემა XIV საუკუნის მთიულეთში გიორგი ბრწყინვალის სამართლის წიგნის მიხედვით. კრებულში: „სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები“. წიგნი III.		თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი
30	რუსიაშვილი გიორგი	ქართული სამართალი და ევროპული ტრადიცია. ჟურნალში „საქართველოს ევროპული გზა“	2015, № 5	
31	ხუბუა გიორგი	სახელმწიფო მართვის მოდერნიზაცია: გამოცდილება და პერსპექტივები. წიგნში: „საჯარო მმართველობის ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში: გამოცდილება და პერსპექტივები“.		თსუ, ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემები
32	ხუბუა გიორგი	საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც მეოთხე ხელისუფლება (?): რისკები და გამოწვევები.		ინტერნეტ გამოცემა. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: www.ipn.ge
33	ხუბუა გიორგი			ინტერნეტ

		გიორგი ხუბუა, Contra legem საქართველოს სახელით?		გამოცემა. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: www.ipn.ge
34	კორკელია კონსტანტინე	ბავშვთა უფლებათა დაცვა შვილად აყვანის სფეროში: საერთაშორისო გამოცდილება და მდგომარეობა საქართველოში		თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1	რუსიაშვილი გიორგი	„Fisci provinciarum“ in Suet. Aug. 101.4. in: J. L. Ferrary, J. Scheid, Il princeps romano: autocrate o magistrato? Fattori giuridici e fattori sociali del potere imperiale da Augosto a Commodo		Pavia, IUSS Press
2	ხუბუა გიორგი	Grund- und Menschenrechte in Georgien, in: Merten/Papier (Hg.), Handbuch der Grundrechte, Band IX, § 281.		Munich, Verlag Beck

3	ვაშაყმაძე მინდია	The Russian practice of the forcible protection of nationals abroad: Legal implications, in: Polish Yearbook of International Law 2015.	Vol. 34	Warsaw, Wydawnictwo Naukowe Scholar
4	ფუტკარაძე ედიშერ	Rechtsregelung der Strafe und Rechtspraxis in Georgien, in: 2nd Criminal Law Reforms Congress, 30 May-6 June, 2015		Istanbul, CILT - 1

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ზოიძე ბესარიონი	საკუთრების უფლების ევოლუცია ქართულ სამართალში	თბილისი, 2015 წელი, 5-6 ნოემბერი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
2	ფუტკარაძე ედიშერ	სასჯელის საკითხი საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაში	თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, 12 ნოემბერი
3	გამყრელიძე ოთარ	სისხლისსამართლებრივი სასჯელის ცნება	თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, 12 ნოემბერი

4	ცქიტიშვილი თემურ	დამნაშავის ნასამართლობის მნიშვნელობა პროპორციული სასჯელის შეფარდებისათვი	თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, 12 ნოემბერი
5	ცქიტიშვილი თემურ	სასჯელის პროპორციულობა	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 24-25 ნოემბერი
6	ცქიტიშვილი თემურ	საფრთხის შექმნის დასჯადობა ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით	ქართულ-გერმანული კონფერენცია, თბილისი, 9-10 ოქტომბერი
7	ღლონტი გიორგი	წამების სისხლისსამართლებრივი დახასიათება და სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების საკითხები	საქართველოს პარლამენტი. თბილისი, 2015 წელი, 18-19 დეკემბერი
8	ღლონტი გიორგი	ვიქტიმიზაციის პრობლემა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში	თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, 12 ნოემბერი

9	ლილუაშვილი გია	სასამართლო გადაწყვეტილების სოციალური მნიშვნელობა	თბილისი, ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი და სამართლის მეცნიერთა კავშირი. თბილისი, 19 ივნისი
10	კორკელია კონსტანტინე	პარლამენტის როლი ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესში	თბილისი, 21-22 სექტემბერი

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ხუბუა გიორგი	საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოების მიმართების საკითხისათვის	რეგენსბურგი, გერმანია 2015 ოქტომბერი
2	ხუბუა გიორგი	იურიდიული ეთიკა თანამედროვე გამოწვევების წინაშე	შირმაიერი მიუნხენთან, 21-22 ნოემბერი
3	ხუბუა გიორგი	საუნივერსიტეტო მენეჯმენტი ახალი გამოწვევების წინაშე	პაიერი, ერმანია, 2015 ივლისი
4	ფუტკარაძე ედიშერ	The Issues of Sentencing	თეირანი, ირანი 11-15 მაისი
5	ფუტკარაძე ედიშერ	Rechtsregelung der Strafe und Rechtspraxis in Georgien	სტამბოლი, 30 მაისი – 6 ივნისი

6	ვაშაყმაძე მინდია	The Case of Crimea in the Light of International Law: Its Nature and Implications	ვარშავა, 19-20 მარტი
7	ვაშაყმაძე მინდია	Whose Election Is It Anyway? Demarcating Electoral Fields	ჰაიდელბერგი, 7-9 ოქტომბერი
8	ბრეგვაძე ლაშა	Emergence of Global Legal Culture: Inevitable Outcome of Transnational Legal Processes	სიეტლი, აშშ, 28-31 მაისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
ფოლკლორის სამეცნიერო განყოფილება

განყოფილები ხელმძღვანელი რუსუდან ჩოლოყაშვილი

პერსონალური შემადგენლობა:

ზაზა აბზიანიძე,
ნინო ბალანჩივაძე,
დალილა ბედიანიძე,
ქეთევან ელაშვილი,
ირმა ყველაშვილი,
ეთერ ინწკირველი,
ოთარ ონიანი,
ნესტან რატიანი,
მარინე ტურაშვილი,
ეკა ჩხეიძე.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის
დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
№1. მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები ქართულ ფოლკლორში		რ. ჩოლოყაშვილი	რ.ჩოლოყაშვილი ირმა ყველაშვილი ნესტან რატიანი ეთერ ინწკირველი ეკა ჩხეიძე დალილა ბედიანიძე ოთარ ონიანი ნინო ბალანჩივაძე
მრავალწლიანი კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
პროექტი ათწლიანი, მუშაობა დაიწყო 2014 წელს. საანგარიშო 2015 წელს დამუშავდა შემდეგი თემები: 1. ნოველისტური ზღაპრებისათვის აქტუალურია ორმაგობის პრინციპის განუხრელი დაცვა-მისი გმირები არიან ურთიერთ დაპირისპირებული თვისებების მქონენი: გიჟი-ჭკვიანი,ზარმაცი-გამრჯე, უზნეო-ზნეობრივი,ბატონი-მოჯამაგირე და ა.შ. ისინი ჯადოსნური ზღაპრისგან განსხვავებით უკვე არ კლავენ იმქვეყნიურ წარმომადგენლებს და მათგან სიკეთეს საჩუქრად იღებენ, როგორც ჯამაგირს,დამსახურებულ ჯილდს. ამ ქვეჟანრის ზღაპრებში ტროპთაგან ძირიტადად შედარება და ეპითეტი გამოიყენება. 2. ქართული ხალხური საისტორიო პოეზიისათვის ნიშანდობლივია პერსონაჟთა სახის დახატვისას თუ ცალკეულ მოტივთა გადმოცემისას მითოსური და ფანტასტიური			

ელემენტების გამოყენება. აქ საქმე გვაქვს ადრე შექმნილ ტრადიციულ სიუჟეტთა,მოტივთა თუ ეპიზოდთა ეპიკურ გადამუშავებასთან; ასევე გმირთა თუ ისტორიულ მოვლენათა იდეალიზაციასთან. ტროპთაგან ძირითადად ვხვდებით ჰიპერბოლას.

3. ქართული სამონადირეო ეპოსი მდიდარია მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებით. ამგვარი პოეტური ტროპები მთქმელს საშუალებას აძლევს შექმნას არა მარტო პერსონაჟთა შთამბეჭდავი სახეები, გადმოსცეს მათი განცდები, ყოფისთვის დამახასიათებელი ატრიბუტები აღწეროს სახასიათო ნიშნებით, მოქმედება დინამიკური და დასამახსოვრებელი გახადოს, გარემო - ადვილად წარმოსადგენი, არამედ ამბის დეტალებიც გააძლიეროს და მსმენელისთვის ამით მონათხრობი უფრო მიმზიდველი გახადოს. თუმცა ამგვარ პოეტურ ტროპებში ხშირად სხვადასხვა მითოლოგიური წარმოდგენაცაა ასახული. ხშირ შემთხვევაში სწორედ ამ მითოლოგიურ წარმოედგენებზე დაფუძნებული მხატვრული საშუალებების წყალობით შემოინახა ესა თუ ის მითოლოგიური წარმოდგენა, თუმცა, როგორც ელენე ვირსალაძე აღნიშნავდა თავის ფუნდამენტურ ნაშრომში, ზოგჯერ შეიძლებოდა პირიქით, შეგნებული მხატვრული პოეტური სახეებისთვის, მეტაფორისთვის ძალით მოგვეხვია თავზე მითოლოგიური შინაარსი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საკმაოდ რთულია გავმიჯნოთ ერთმანეთისგან, რომელ მხატვრულ სახეს აქვს მითოლოგიური შინაარსი, განსხვავებული დატვირთვა და შესაბამისად არქაულ შრესაც განეკუთვნება და რომელია გვიანი ჩანამატი, რომელიც მთქმელის გემოვნების შედეგადაა გაჩენილი. ამ მიზნით საჭიროა მხატვრული სახეების კლასიფიკაცია და შემდგომი დეტალური ანალიზი, რის შედეგადაც მოხდება ტექსტის ერთგვარი დანაწევრება, თუმცა ეს პროცესი დაგვეხმარება ზოგიერთი არქაული წარმოდგენის რესტავრაციაში. წლიურ თემაზე მუსაობისას კვლევამ რამდენიმე ეტაპი გაიარა: თავდაპირველად მოვახდინე მხატვრულ სახეთა კლასიფიკაცია, შემდეგ ამ კლასიფიკაციის შედეგად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით გამოვაცალკევე მეტაფორათა ერთი დიდი ჯგუფი; ამ ჯგუფში შემავალი თითოეული ელემენტი ცალ-ცალკე შევისწავლე და შემდგომი შეჯერების, შედარებისა და შეპირისპირების საფუძველზე გამოვიტანე დასკვნა.
4. 2015 წელს ეტაპობრივად ჩატარდა შემდეგი სამუშაოები: დაიძებნა ფოლკლორული პარალელები სხვადასხვა ხალხის ფოლკლორში და მოხდა მათი ტიპოლოგიური ანალიზი, ხალხური ბიბლია შედარდა ებრაულ აპოკრიფებთან, ძველ ბერძნულ და ასევე კოპტურ ტექსტებთან და მომზადდა გამოკვლევა - „ხალხური ბიბლიის მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები“.
   საკითხის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა ხალხური ბიბლიის მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების სპეციფიკა: რამდენადაც ბიბლიური სიუჟეტების ხალხური ვარიანტები გამოირჩევა ინოვაციური მოტივებითა და ტრანსფორმაციის ფორმებით, იმდენად მწირია ის მხატვრული თვალსაზრისით. იგულისხმება, რომ იშვიათად ვხვდებით ტექსტებში სხვადასხვა მხატვრულ სახეებს - შედარება, ეპითეტი, ჰიპერბოლა... მაგრამ შესაძლებელია შეგვხვდეს მეტაფორები, რომელთა თანმიმდევრული გააზრება ტექსტის ფუნქციას ხსნის. ასეთია მაგალითად, სიკვდილ-სიცოცხლის მეტაფორები „იობის ლექსში“ (შიმშილი, ავადმყოფობა, ჭამა, განკურნება); მწყემსური და სამიწათოქმედო კულტურის ურთიერთმიმართების საკითხი „აბრამის ლექსში“, რაც მხატვრული სახეებით არის გადმოცემული (მაგ. მაწონი-პური, სასახლე-კარავი და სხვ.); ე.წ. კამეჩის მოტივი წარღვნის ეპიზოდში და სხვ.. ხშირად, ხალხურ ტექსტში მატერიალიზებულია ბიბლიური მხატვრული სახე და მას ნივთიერი სახე აქვს მიცემული. მაგ. ღვთისმშობლის დაუჯდომელის ცნობილი - „ადამის ხელწერილი“ ხალხური ტექსტის მიხედვით ქვაზე ან კეცზე იწერება; ფოლკლორში ადამისა და ევას სიშიშვლე ბუმბულით ან ნათლით არის დაფარული, ხოლო ზოგჯერ სიშიშვლის ვერდანახვა მათვე სიბრმავით არის ახსნილი.
5. ქართულ ხალხურ სატრფიალო პოეზიას ახასიათებს პოეტურ სახე-სიმბოლოთა მრავალფეროვნება, ტროპული მეტყველებისა და მზა ფორმულათა დახვეწილობა.

გვხვდება ტროპის სახეები, რომლებშიც ჩანს მხატვრული შემოქმედების უძველეს ფორმათა ანარეკლი, კერძოდ, ეპითეტებში შემონახულია მითოლოგიური აზროვნების ელემენტები. თუმცა ზოგჯერ ძნელი მისახვედრია ლექსის ესა თუ ის სტრიქონი მხოლოდ მეტაფორაა თუ ძველი მითის ნამსხვრევები. სატრფიალო პოეზიის ქვეჟანრებია: ქება, მინიატურა, ნატვრა, გაბაასება, ელეგია, ბალადა, რომლებიც განვითარების მეტად მაღალ, მხატვრულად დახვეწილ ფორმებს იძლევა და თავის დროზე ხშირ შემთხვევაში საგაზაგხულო დღეობათა რიტუალებში სრულდებოდა.

ტროპის სახეები (მეტაფორა, ეპითეტი, შედარება, ჰიპრბოლა, პარალელი) ხალხურ სატრფიალო ლექსებში გმირის ფიზიკური სილამაზის, მშვენიერების გამოხატვას ემსახურება: „გიშრის თმანი, ლერწამი ტანი, დილის ვარდი, ალვის ხე, იის ნაშობი, ბროლის თითნი, ობოლი მარგალიტი, მაისის ვარდი, ლალის ფერი“. უნდა აღინიშნოს, რომ უმეტესობა ამ ტიპის ეპითეტებისა შედარებაზეა აგებული და მათი მეტაფორულობა შეიძლება კონტექსტით აღვადგინოთ. ტროპის სახეები ხელს უწყობს ლირიკული ლექსის ხატოვანებას, სინამდვილის ემოციურ ასახვას, მონაწილეობს ლექსის ორგანიზებაში, მის კომპოზიციურ შეკვრაში. იგი ხშირად წარმართავს სატრფიალო პოეზიაში ლექსის მუსიკალურ მხარესაც.

6. საგმირო ლექსები პოეტურ გვართა მიხედვით ლირიკულ-ეპიკურია. საგმირო ლირიკულ-ეპიკური ლექსები ჟანრობრივად მრავალფეროვანია. ისინი მოიცავენ აფორიზმებს, სასიმღერო ტაეპებს, ბალადას, ქებას ან ხოტბას, ელეგიას და პოემასაც კი. ქართული ხალხური საგმირო პოეზიის კლასიფიკაცია გარკვეულ თემატურ ჯგუფებად მოვახდინეთ, ესენია: 1. საგმირო აფორიზმები, 2. უცხო ტომთა თარეშის ამსახველი ლექსები, 3. შინაური შუღლის ამსახველი ლექსები, 4. გმირობის იდეალის გამომხატველი ლდექსები, 5. საგმირო-სახოტბო ლეკქსები, 6. სამონადირეო ლექსები, 7. საგმირო-სამგლოვიარო ლექსები, 8. სატრფიალო ლექსები.

   ხალხმა შექმნა საყვარელ გმირთა სახეების მდიდარი გალერეა: ლომის, ვეფხვის, ხარის, მგლის, არწივის, ორბის, შევარდენის, მიმინოს, ქორის, დევის თუ სხვა. სიმბოლიკა აძლიერებს ცალკეულ ლექსთა საგმირო იერს. გმირის თვისებებს გამოხატავს ხალხის მიერ შექმნილი მრავალი ეპითეტი, მეტაფორა თუ პარალელიზმი. ჩვენ ყოველი მათგანი ცალ-ცალკე შევისწავლეთ.

7. „ამირანიანის“ მხატვრულ სახეთა შესწავლა საგანგებო ყურადღებას მოიხოვს _ მნიშვნელოვანია მისი პერსონაჟების სახელების განსხვავებული ლინგვისტური ფორმები, ტროპთა თავისებურებანი და სხვა. აქ მათი პერსონაჟების გარეგნული დახასიათების ცდაც კი შეინიშნება. უმეტესად მათში აქცენტი გმირის მოქმედებაზეა გადატანილი. იგი სწორედ ამითაა ლამაზი და მომხიბვლელი. პერსონაჟთა ბუნება თუ მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები ყველას თვალშისაცემადაა წარმოჩენილი უმთავრესი მნიშვნელობის სტრუქტურული ერთეულებში: შობა, ნათლობა, გმირული თადგადასვლები და მიჯაჭვა. მათში არც გმირებია მხატვრული ხერხებით და საშუალებებით დახასიათებული, არც გმირობის ამსახველი ეპიზოდებია რაიმე ნიშნით გამორჩეული. რასაკვირველია, ცალკეულ ვარიანტებში გვაქვს ცენტრალური გმირთა დამოუკიდებელი ნიშან-თვისებებით ჰიპოერბოლური დახასიათება. ასე, მაგალითად, ერთ-ერთ კახურ ჩანაწერში ბადრი ქალივით ლამაზ გმირადაა წარმოდგენილი, უსუფი კი თავ-ბოლო გამაგრებულ ბროლის ციხესა ჰგავს, ამირანი კი „შავსა ღრუბელსა, საწვიმრად გამზადებულსა“. ამ ტიპის მასალების მოტანა კიდევ შეიძლება, მაგრამ, ვიმეორებთ, იგი არაა წამყვანი ზოგადად „ამირანიანის“ ვარიანტებისათვის. მნიშვნელოვანია გმირთა ღვთაებრივი ნიშნებით აღჭურვის მაგალითები, მითოსური მინიშნებანი, იდუმალებით აღსავსე პასაჟები. საბრძოლო ეპიზოდები ქმედებით არის გადმოცემული. ტექსტი სადა, მარტივი, ხალასი, ხალხური ენითაა დაწერილი.

8. ქართული მითოლოგიური პროზა მდიდარია მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებით, რაც საშუალებას გვაძლევს დავინახოთ არა მარტო პერსონაჟთა მრავალმხრივი სახეები და მათი განცდები, არამედ სახასიათო ნიშნებით აღწერილი

გარემო, რომელიც მონათხრობს უფრო მიმზიდველს ხდის. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საკმაოდ რთულია განისაზღვროს რომელ მხატვრულ სახეს აქვს მითოლოგიური შინაარსი, რომელ არქაულ შრეს განეკუთვნება და რომელია მოგვიანებით გაჩენილი. ამ მიზნით მოხდა მხატვრული სახეების კლასიფიკაცია შემდგომი ანალიზისა და დასკვნების გამოსატანად.

№2	ლიტერატურულ სიმბოლოთა ევოლუცია ქართული ფოლკლორიდან პოსტმოდერნიზმამდე	ზაზა აბზიანიძე	ზაზა აბზიანიძე, ქეთევან ელაშვილი

დასრულებული პროექტის თეორიული და პრაქტიკული შედეგები:

შედგა სიმბოლოთა კატალოგი ქრესტომათიული ლიტერატურული სიმბოლოების გათვალისწინებით - ბუნებრივია, ბიბლიურ არქეტიპებზე დაყრდნობით;

მოხდა კატალოგისათვის შესატყვისი კომენტარებისა თუ ვიზუალური მასალის შერჩევა, რათა უფრო თვალსაჩინო და სიღრმისეული გაგვეხადა ის;

ასევე სიმბოლოთა ენციკლოპედიიდან ამოღებული იქნა შემეცნებითი ხასიათის სტატიები და ითარგმნა ქართულად:

1. Т. Фадеева, Образ и Символ, М., „Новалис“; 2004;
   სიმბოლოს გამოსახვის შინაგანი არსი ანუ ეზოთერიკული საწყისის არქეტიპული თუ თანამედროვე აღქმა; (გვ. 9-37) (ქ. ელაშვილი)
2. В. Бауэр, И. Дюмоти, С. Головин, Энциклопедия Символов, М; „КРОН-ПРЕСС“, 1998;
   სიმბოლოს წარმოშობის ისტორია - ქრესტომათიულ სიმბოლოთა დაკარგულ არქეტიპთა მოძიების გზა; (გვ. 7-46) (ზ. აბზიანიძე)
   ეს თარგმნილი სტატიები ამდიდრებს სიმბოლოლოგიურ თვალსაწიერს და სახისმეტყველებითი გამოკვლევების დიაპაზონს კიდევ უფრო აღრმავებს.
   სიმბოლოთა გეოგრაფიის ძირითადი ტრაექტორია მოიცავს „ევროპულ სიმბოლოებს“ - შესატყვისი ისტორიით: ძველბერძნული თუ სკანდინავიური მითოლოგიის არქეტიპთა შერწყმის ეზოთერიკული შრეების ჩვენება;
   აღმოსავლური სახისმეტყველება კი მოიცავს ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ „ასოციაციურ აზროვნებას“ - ესაა ინდობუდისტური სამყაროს (ინდიუზმი, სინთოიზმი, ბუდიზმი...) არქეტიპები და ისლამური სამყაროს შემეცნებითი მისტიკა.

№3	*აღწერილი და სისტემატიზებული აუდიო მასალა*	*მარინე ტურაშვილი*	*ელგუჯა დადუნაშვილი (კონსულტანტი) მარინე ტურაშვილი*

დასრულებული პროექტის თეორიული და პრაქტიკული შედეგები:

	1. *აღნიშნული ეტაპისთვის სრულად განხორციელდა პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაო:* 2. *1. 2014 წელს შემუშავებული სისტემატიზაციის მიხედვით დამუშავდა და აღიწერა არქივში დაცული ფონოჩანაწერები (* Microsoft Office Excel *–ის პროგრამაში აღიწერა 130 მმ–300 მმ-იანი 42 ფირი; 155–150 მმ-იანი 17 ფირი, 130 მმ-იანი 23 ფირი, 300 მმ-იანი 27);* 3. *2. აღწერილი მასალები შევიდა კომპიუტერში, მომზადდა ელექტრონული ვარიანტი, რაც აადვილებს მასალების მოძიებას.*

სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული პროექტები:

I.

N	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1. მხატვრული აზროვნების ტრანსფორმაციის ფორმები ქართულ ფოლკლორში		შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდი #31/53	რუსუდან ჩოლოყაშვილი	რ. ჩოლოყაშვილი ე. ჩხეიძე ი. ყველაშვილი ნ. ბალანჩივაძე ე. ინწკირველი

გაედამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები:

1. დაკვირვება ჩატარდა ნოველისტური ზღაპრების მხატვრულ -გამომსახველობითი საშუალებების, სახე- სიმბოლოების ტრანსფორმაციის ფორმებზე, რომლის შესახებაც დაიწერა გამოკვლევა, რომელშიც ნოველისტური ზღაპრების სახე-სიმბოლოთა შესწავლისას გამოიკვეთა ორი სამყაროს წარმომადგენელთა მუდმივი დაპირისპირება. მართალია, ეს სახეები საუკუნეთა მანძილზე გადააზრებას გამნიცდიდა და პერსონაჟებიც იცვლებოდნენ, მაგრამ მიზეზი დაპირისპირებისა და შედეგი-ამქვეყნიური ძალის გამარჯვებისა უცვლელია.
2. დაიძებნა მითოსური ძირები ხალხურ სატრფიალო პოეზიაში ყველა მხატვრულ-გამომსახველობითი ფორმა, ცალ-ცალკე ამოიწერა ბარათებზე შესაბამისი მითითებებით და დალაგდა თემატურად;
3. საგმირო-საისტორიო პოეზიის ნიმუშებში დაიძებნა მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, სახე-სიმბოლოები.
   დაკვირვება ჩატარდა მათი ტრანფორმაციის ფორმებზე პირველ რიგში, ჟანრობრივად დალაგდა პოეზიის ნიმუშები. სათითაოდ იქნა ამოწერილი ბარათებზე მხატვრულ-გამომსახველობითი ფორმები შესაბამისი წყაროს მითითებებითა და გამოკვლევის შემდგომი ჩატარების მიზნით დალაგდა თემატურად
4. მითოლოგიურ პროზაში დაიძებნა სახე-სიმბოლოები და მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები. მოხდა შესწავლა მათი ტრანსფორმაციის ფორმებისა. დალაგდა თემატურად, სათითაოდ ბარათებზე ამოიწერა მხატვრულ-გამომსახველობითი ფორმები და სახე-სიმბოლოები.
5. უპირველეს ყოვლისა, მოხდა მასალის მობილიზება. მოძიებულ იქნა ბიბლიური სიუჟეტის ხალხური ვარიანტები როგორც ფოლკლორულ არქივებში ისე სხვადასხვა დროს, სხვადასხვა კრებულში გამოქვეყნებული პოეტური და პროზაული ტექსტები.

მოძიებული და შეკრებილი იქნა ბიბლიური კოსმოგონიის, ანთროპოგონიისა და წარღვნის ეპიზოდების ამსახველი ზეპირსიტყვიერი მასალა, ასევე „იობის წიგნის“ ფოლკლორული ვერსიები. მოძიებულ ტექსტებში დაიძებნა ბიბლიური სახე-სიმბოლოები და მოტივები.

ასევე დაკვირვება ჩატარდა ბიბლიური სახე-სიმბოლოებისა და მოტივების ტრანსფორმაციის ფორმებზე. ბიბლის, როგორც წერილობითი ძეგლის, ფოლკლორიზაცია უკვე თავისთავად გულისხმობს მის ტრანსფორმაციას; დაკვირვებამ აჩვენა, რომ ქართულ ფოლკლორში ბიბლიური მოტივები და სახე-სიმბოლოები გარკვეული სახეცვლილებით გადადის. ხშირად საქმე გვაქვს ფოლკლორულ ინოვაციასთან, რაც უცხოა ბიბლიის ტექსტისთვის, როგორც მოტივთა, ისე სახე-სიმბოლოების თვალსაზრისით.

2.	ფოლკლორის არქივში დაცული ფონო ჩანაწერების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დიგიტალიზაციისა და ელექტრონული სისტემატიზაციის გზით	„რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი“	მერი ხუხუნაიშვილი-წიკლაური	მერი ხუხუნაიშვილი-წიკლაური, ელგუჯა დადუნაშვილი, მერინე ტურაშვილი, დავით მაკალათია, ირმა რატიანი დავით შუღლიაშვილი

დასრულებული პროექტის შედეგები

პროექტის მიზანი იყო ქართული ფოლკლორის არქივში დაცული ფონო ჩანაწერების ელექტრო–მაგნიტური მატარებლების დიგიტალიზაციისა და ელექტრონული სისტემატიზაციის გზით სამეცნიერო კვლევისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად პროექტი ითვალისწინებდა შემდეგი ამოცანების გადაწყვეტას:

1. ელექტრონული სისტემატიზაციისათვის საჭირო ქსელური პროგრამის მოდელირებას;
2. ელექტრონული სისტემატიზაციისათვის საჭირო ქსელური პროგრამის შექმნა–ტესტირებას და საბოლოო პროდუქტის სახით ჩამოყალიბებას;
3. საარქივო ფონო ჩანაწერების დიგიტალიზაციისთვის მომზადებას;
4. საარქივო ფონო ჩანაწერების დიგიტალიზაციას;
5. დიგიტალიზებული მასალის სეგმენტაციას;
6. სეგმენტირებული მასალის იდენტიფიკაციასა და თემატურ–ჟანრობრივ კლასიფიკაციას;
7. აუდიო მასალის მონაცემთა ბაზის ქართული ფოლკლორის ტექსტურ მონაცემთა ბაზასთან ადაპტაციას;
8. ფონო ჩანაწერების კონსერვაციას;
9. აუდიო ჩანაწერების რჩეული ნიმუშების კომპაქტ დისკის მომზადებას და გამოცემას;
10. პრეზენტაციის გზით სამეცნიერო და ფართო საზოგადოებისთვის პროექტით მიღწეული შედეგების გაცნობას.

დიგიტალური ჰუმანიტარიის მეთოდების დანერგვამ ქართულ ფოლკლორისტიკაში, რასაც შედეგად მოჰყვა საკუთარი მაღალტექნოლოგიური ელექტრონული რესურსების განვითარება, საფუძველი შექმნა, გვეფიქრა ფოლკლორის არქივში დაცული ფონოჩანაწერების დიგიტალიზაციასა და ელექტრონული პუბლიკაციის გზით მათი საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე.

ელექტრომაგნიტური ფირების სპეციალურ მოწყობილებაზე გაჟღერება და ხმოვანი ინფორმაციის ახალ მატარებელზე გადატანა განხორციელდა ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო კონსერვატორიის ფოკლორის კათედრის ტექნიკური მხარდაჭერით. კონსერვატორიაში გაციფრული მასალა აიტვირთა შოთა რუსთაველის ქართული ლტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივის ვირტუალურ ლაბორატორიაში. ეს უკანასკნელი, როგორც ონლაინ სამუშაო სივრცე, საშუალებას აძლევს სათანადო წვდომის უფლებებით აღჭურვილ სპეციალისტს, განახორციელოს მასალის ელექტრონული დამუშავება და მონაცემების ბაზაში შეტანა.

როგორც რეგისტრირებული, ისე გარე მომხმარებლის მიერ იგივე ბაზა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქართული ფოლკლორის საარქივო მასალებში (ხელნაწერი ტექსტები, მომავალში ასევე ფოტო- და კინო/ვიდეო მასალები) ძიების განსახორციელებლად. ამგვარი ძიება შეიძლება მიზნად ისახავდეს როგორც კონრეტული ნიმუშ(ებ)ის გაცნობას, ისე ფოლკლორის რეპერტუარზე ზოგადი კვანტიტატური მონაცემების შეგროვებას.

პროექტის ფარგლებში გაციფრული და მეტნაკლები სიზუსტით ანოტირებული იქნა 2000–ზე მეტი დიდი თუ მცირე ზომის ფოლკლორული ნიმუშის აუდიოჩანაწერი, სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით, შეივსო და დაზუსტდა საკუთრივ ფონო ჩანაწერებში არარსებული მეტამონაცემები.

საგულისხმოა, რომ არსებული ჩანაწერები არ შემოიფარგლება მხოლოდ ქართული ზეპირსიტყვიერებისა და სასიმღერო ფოლკლორის ნიმუშებით. გვხვდება მასალები აფხაზური მუსიკალური ფოლკლორიდან, დაცულია აფხაზ შემსრულებელთა აუთენტური საუბრის ჩანაწერებიც. დამუშავებულ მასალაში იპოვება ჩანაწერები თურქულ და ბერძნულ ენებზეც. ტექნიკური ხარვეზების მიუხედავად, მასალა ფასდაუდებელი წყაროა ფოლკლორული და დიალექტოლოგიური კვლევა-ძიებისათვის.

შედეგები: აღნიშნული პროექტის განხორციელებით შესაძლებელი გახდა მნიშვნელოვანი თეთრი ლაქის შევსება ქართული მუსიკალური და სიტყვიერი ფოლკლორის შემკრებლობითი პრაქტიკის ისტორიაში. განსაკუთრებით საგულისხმოა ის, რომ აუდიოფონდში არსებული ჩანაწერები არ შემოიფარგლა მხოლოდ ქართული ზეპირსიტყვიერებისა და სასიმღერო ფოლკლორის ნიმუშებით. გვხვდება მასალები აფხაზური მუსიკალური ფოლკლორიდან, დაცულია აფხაზ შემსრულებელთა აუთენტური საუბრის ჩანაწერებიც (I 35700-35718). დამუშავებულ მასალათა შორის იპოვება ჩანაწერები თურქულ და ბერძნულ ენებზეც (I 35058, 35225-35229, 35230).

ფონოჩანაწერებში გასაოცარი ძალით იჩენს თავს განსხვავება, რომელიც არსებობს შესრულების აქტის უშუალო ფიქსაციისა და, მეორე მხრივ, მის შესახებ მონათხრობის საფუძველზე წარმოქმნილ ტექსტებს შორის. საილუსტრაციოდ შეგვეძლო, დაგვესახელებინა მესტიის რაიონის სოფ. ჟამუშის მოღერალთა მიერ შესრულებული ორბუნი სიმღერები, რომელთა დროსაც გუნდი თავისი პარტიის დასრულებისთანავე მეყსეულად წყვეტს სიმღერას და ელოდება დროის გასვლას, რომელიც საჭირო იქნებოდა მეორე, იმჟამად იქ არარსებული გუნდის მიერ სამღერი ანტიფონური პარტიის შესასრულებლად (I 34597, 34599, 34601). ეგზემპლარული მნიშვნელობისაა ასევე ხევსურ ხევისბერთან ფიქსირებული მასალა. კონკრეტულად, როცა მას სთხოვენ, ჩააწერინოს ხატმსახურების დროს წარმოსათქმელი ტექსტი. იგი ამისთვის აუცილებლ პირობად ასახელებს შესაბამისი წესის დაყენებას და, მართლაც, მხოლოდ იმპროვიზებული საღვთისმსახურო ტაბლის გამართვის შემდეგ, რაც კარგადაა ასახული აუთენტურ აუდიოჩანაწერში, იწყებს შესაბამისი საკულტო ტექსტის შესრულებას (I 35566-35569).

ჩანაწერთა გაცნობა შესაძლებელია ქართული ფოლკლორის მონაცემთა ბაზაში, შემდეგ ინტერნეტმისამართზე: www.folktreasury.ge/ARPA
მოცემული პროექტის ფარგლებში დამუშავებული მასალის სრულად მოძიება შესაძლებელია ძიების შემდეგი საძიებო ფრაზის გამოყენებით: Choose the Field=Format; Choose the Relation=contains; Enter the Keyword=audio

3.	„ლიბელარიზმის ეპოქა ქართულ ლიტერატურაში“	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ზაზა აბზიანიძე	ზაზა აბზიანიძე, ქეთევან ელაშვილი

დასრულებული პროექტის შედეგები

საკვლევი თემის ირგვლის გაერთიანებული მეცნიერების მიზანი იყო XXI საუკუნის გადასხედიდან, თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენებით, შესწავლილ იყო XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი - ლიბერალიზმის ეპოქა, გამოკვეთილიყო ამ ეპოქის ლიდერთა მკაფიო პორტრეტები და თვალსაჩინოდ წარმოჩენილიყო ამ ეპოქის მნიშვნელობა დღევანდელი დღისათვის. დაიწერა ნაშრომები: ლიბერალიზმის ეპოქის სიმბოლური პირიოვნებანი (გარიბალდი, მაძინი, კოშუტი, ხოსე მარტი, ბელინსკი, გერცენი, ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი) გვ.29-97; ზნეობრივი დისკურსი - სიკვდილით დასჯის თაობაზე (ილია, მ.ჯავახიშვილი) - გვ. 98-113 და სხვ. გამოიცა წიგნი „ლიბერალიზმის ეპოქა ქართულ ლიტერატურაში“

პუბლიკაციები:

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	რ. ჩოლოყაშვილი	კრებული ზღაპართმეტყველე-ბიდან სიტყვიერებამდე	თბილისი, “ნეკერი“	გვ.249

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. კრებულში შესულია 2009-2014 წწ. ჩემ მიერ დაწერილი გამოკვლევები ზღაპრული ეპოსის ცალკეულ მოტივთა თუ პერსონაჟთა გენეზისის საკითხებზე (7 სტატია); ფოლკლორის მიმართება ლიტერატურულ ნაწარმოებებთან(3);ფოლკლორისტიკის ისტორიიდან-„ამირანიანის“ სათავეებთან (შ. ნუცუბიძე); ანტისაბჭოური სიტყვიერების მასალების კლასიფიკაცია და მასალები ქართული ფოლკლორის ლექსიკონისათვის.

სტატიები საქართველოში:

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	რ. ჩოლოყაშვილი	Evil Spirits in Georgian Epic Fables (არაამქვეყნიური არსებანი ქართულ ზღაპრულ ეპოსში)	Book of Scientific Works of the Conference of BBelief Narrative Network of ISFNR_ ზუგდიდის საერთაშორისო კონფერენციის შრომები	თბილისი,"უნივერსალი", 2015.	გვ. 49-69
2	რ. ჩოლოყაშვილი, ი.ყველაშვილი	ნაცარქექია გამარჯვებული საქართველოს სიმბოლო აკაკი წერეთლის შემოქმედებაში	ლიტმცოდნეობის მე-9 საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები	თბილისი, თსუ გამომცემლობა	გადაცემულია დასაბეჭდად
3	რ.ჩოლოყაშვილი	ჯადოსნური ზღაპარი მზის სადიდებელი	III საერთაშორისო კონფერენციის - "კულტურათშორისი დიალოგები"- შრომები	თელავი, 2015	გვ.552-559
4	რ. ჩოლოყაშვილი	სახე-სიმბოლოთა და ცალკულ მოტივთა ტრანსფორმაციოს ფორმები ზღაპრულ ეპოსში	საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი 1	თბილისი, 2015	გვ.158-159
5.	ე.ინწკირველი	ბიბლიური	მე-9	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტი, 2015 წელი	გადაცემულია დასაბეჭდად

6.	ე.ინწკირველი	სიუჟეტის ხალხურ ტრადიციაში ტრანსფორმაციის საკითხი	საერთაშორისო სიმპოზიუმის - „ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა“ - მასალები კულტურათშორისი დიალოგები III. შრომები	თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი, 2015	გვ. 246-253.
7.	ე.ინწკირველი	ბიბლიური ,,ურიას წერილის“ ტრანსფორმაცია ბედისწერასთან დაკავშირებულ ქართულ ნოველისტურ ზღაპრებში	წელიწდეული VII	ქუთაისი, 2014	გადაცემულია დასაბეჭდად
8.	ნინო ბალანჩივაძე	ბიბლიური ანთროპოგონიის ფოლკლორული ტრანსფორმაცია	მე-9	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტი, 2015 წელი	გადაცემულია დასაბეჭდად
9.	ეკა ჩხეიძე	სიზმრით გამოხატული აკაკის მსოფლმხედველობა	საერთაშორისო სიმპოზიუმის - „ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა“ - მასალები	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტი, 2015 წელი	გადაცემულია დასაბეჭდად
10	ი.ყველაშვილი, რ. ჩოლოყაშვილი	ზეპისტიყვიერების ტრადიციები აკაკის შემოქმედებაში	მე-9 საერთაშორისო სიმპოზიუმის - „ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა“ - მასალები ლიტმცოდნეობი	თბილისი, თსუ გამომცემლობა	გადაცემულია დასაბეჭდად

11	ი.ყველაშვილი	ნაცარქექია გამარჯვებული საქართველოს სიმბოლო აკაკი წერეთლის შემოქმედებაში	ს მე-9 საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები	თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2015.	გვ.11-12
12.	ნესტან რატიანი	ქალის სახე ნოველისტურ ზღაპრებში	ფოლკლორისტთა 52-ე სამეცნიერო კონფერენციის მასალები	აწსუ, 2015	გვ.366-370
13.	დალილა ბედიანიძე	ნარატიული პარადიგმა - ჰაგიოგრაფია	თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება,	თსუ გამომცემლობაში	გადაცემულია დასაბეჭდად
14.	დალილა ბედიანიძე	ოთარ ჩხეიძის პიესა „უკვდავების ზღაპარი“ და ფოლკლორი.	ლიტერატურული ძიებანი, 2015, XXXVI,	თბილისი	გვ. 13-20.
15.	დალილა ბედიანიძე	„ბეჟანიანი“და ქართული ხალხური ზღაპრები _	გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი,2015, N9	თბილისი	გვ. 27-45.
16.	დალილა ბედიანიძე	ზღაპარ „მუჭანახევარას“ ტიპოლოგიური პარალელები	გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 2015, N	თბილისი	გვ. 80-105.

			7-8,		
17.	ოთარ ონიანი	ჯანსულ ჩარკვიანის პოეზია და ფოლკორი _	ცისკარი, 2015, N 8	თბილისი	გადაცემულია დასაბეჭდად
18.	ოთარ ონიანი	ამირანის დასჯის თავისებურებანი გურულ ვარიანტებში,	`ლიტერატურული ძიებანი~, XXXVI, თბილისი, 2015	თსუ გამომცემლობაში	გადაცემულია დასაბეჭდად
19.	ოთარ ონიანი	ამირანი აკაკი წერეთლის შემოქმედებაში ამირანიანის გურული ვარიანტის _ „კალმახელა“ _ ანალიზი.	ლიტმცოდნეობის მე-9 საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები ფოლკლორისტთა 52-ე სამეცნიერო კონფერენციის მასალები.	შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, 2015 წლის 3 ივნისი	გადაცემულია დასაბეჭდად

ანოტაციები:

1. ნაშრომში განხილულია ის არაამქვეყნიური ავი სულები,რომლებიც ქართულ ზღაპრულ ეპოსში გვხვდება.ესენია: დედაბერი (კუდიანი, წყეული, სულის მტერი), ეშმაკი,ქაჯი,ალი,ჭინკა, ჯინი-მათი გარეგნობა, თვისებები,ზღაპრის მთავარი გმირისადმი მტრობის მეთოდები.
2. ნოველისტური ზღაპრის გმირის-ნაცარქექიას სახე აქ გააზრებულია როგორც საზოგადოებრივი მნიშვნელობის ფუნქციის მატარებელი უძველესი ტრადიციების დამცველი პერსონაჟი -კერაზე მზრუნველი, ნაცრით საკრალური გამოსახულების გამომყვანი,ოჯახის(სოფლის) განწმენდის მიზნით განტევების ვაცის ფუნქციის შემსრულებელი (ამიტომ მოხვდა ის დევების სამოსახლოში).ყოველივე ამის საფუძველზე აღწევს ის საბოლოო გამარჯვებას. აკაკი წერეთელმაც სწორედ ასეთი ღირსებების გამო გაიაზრა ეს გმირი გამარჯვებული საქართველოს სიმბოლოდ,როცა ხალხური ზღაპარი „ნაცარქექია“ გაითავისა.
3. ქართული ჯადოსნური ზღაპრის დასაწყის ფორმულაში ღვთაება მოიხსენიება და ქრისტიანები ქრისტიანულ ღვთაებას ვგულისხმობთ.ადრეული გააზრებით კი ამ უძველეს ნაწარმოებში უძველესი ღვთაება-მზე უნდა იგულისხმებოდეს.ამის დასტურად ღვთაების

წინ ფრინველის (შაშვის) ხსენებაც გამოდგება.ფრინველი გვხვდება სხვა ხალხთა ზღაპრების დასაწყის ფორმულებშიც. ფრინველი კი მზის მეტამორფოზულ სახესხვაობად ითვლებოდა უძველესი გააზრებით და თვით მზე ფრთებით გამოისახებოდა.გარდა ამისა ზღაპრის გმირებიც დაფრინავენ (დამოუკიდებლად თუ ამხედრებულნი).ამდენად, ზღაპრის გმირის გამარჯვება მზის ღვთაების გამარჯვებაად გაიაზრება.

4. ზღაპრული ეპოსის სახე-სიმბოლოები თუ ცალკეული მოტივები მითოსური აზროვნებიდან იღებს სათავეს და მასში უძველესი აზროვნების ეტაპები ჩანს. მაგ., მელიას სახე ადრეულ ზღაპრებში ტრიქსტერია-მოხერხებული, ცბიერი, დაუნდობელი; განვითარებული მიწათმოქმედების პერიოდში კი შეუძლია: ვენახის, ხეხილის, ყვავილნარის გაშენება. რაც შეეხება მოტივებს, ზღაპარში ინიციაციის რიტუალზე შეიძლება ითქვას, რომ ისიც განიცდის ტრანსფორმაციას,დროთა განმავლობაში მისი თავდაპირველი მნიშვნელობის დავიწყების გამო. ეს რიტუალი,რომელიც მოზარდის სასიკეთოდ სრულდებოდა, ზღაპარში თანდათან ტრაგიკულ ელფერს იძენს.
5. ნაშრომში გაანალიზებულია ქართულ ხალხურ წარღვნის ლეგენდებში საკმაოდ გავრცელებული ე.წ. კამეჩის მოტივი: ნოეს კიდობანს სხვადასხვა მიზეზით კამეჩი ჩამორჩება, რომელიც წარღვნას გადაურჩება, მაგრამ გაშავდება წარღვნის მღვრიე წყლისაგან. მოტივთა ტიპოლოგიური ანალიზით გამოიკვეთა, რომ მოცემული მოტივი მხოლოდ ქართულ და აფხაზურ ფოლკლორში გვხვდება, მაგრამ თავისი წარმოშობით ორიგინალური არ არის, რადგან საფუძველი ბაბილონური თალმუდის ერთ-ერთ წიგნში უდევს, რომლის მიხედვითაც კამეჩთან ერთად ნოეს კიდობანს გოლიათი ოგიც ჩამორჩება. მოტივი მეტად საინტერესოა იმ აზრითაც, რომ ის გვხვდება დავით გურამიშვილის „მხიარულ ზაფხულში“, სადაც ახლავს ავტორისეული კომენტარი მოტივის არაბიბლიური, არაკანონიკური წარმოშობის შესახებ. ის ფაქტი, რომ ისეთი რელიგიური ავტორი, როგორიც გურამიშვილია, თავის ნაწარმოებში ბიბლიური სიუჟეტის ხალხურ ვერსიას გვთავაზობს, მოწმობს ერთის მხრივ ბიბლიური სიუჟეტის ხალხური ვერსიის უპირატესობას, ხოლო მეორე მხრივ მის ტრადიციულობას, რომლის გავლენისაგან სამშობლოსაგან მოშორებულმა ავტორმაც კი ვერ დაიცვა საკუთარი შემოქმედება.
6. ნაშრომში გაანალიზებულია ზღაპრის საერთაშორისო საძიებელში ,,ურიას წერილის“ სახელით შესული ბედისწერასთან დაკავშირებული ნოველისტური ზღაპრები, მოცემულია მათი ტიპოლოგიური ანალიზი და ნაჩვენებია ძირითადი სიუჟეტური ბირთვის ქართულ ფოლკლორში ტრანსფორმაციის ფორმები. ბიბლიიდან მომდინარე იდიომატური გამოთქმა - ,,ურიას წერილი“ დავით მეფის მიერ ურია ხეთელის მუხანათურ მოკვლას უკავშირდება, როდესაც მეფე არა პირადად, არამედ სასიკვდილო წერილის საშუალებით იშორებს თავიდან მეტოქეს, რათა მის ცოლს დაეპატრონოს. მოცემულ ბიბლიურ სიუჟეტს ქართულ ფოლკლორში ვერ ვხვდებით, თუმცა საკმაოდ გავრცელებულია ,,ურიას წერილის“ მოტივის ფოლკლორული ტრანსფორმაცია: ანტაგონისტი ცდილობს, ზღაპრის გმირი სიკვდილის წერილით დაღუპოს, მაგრამ წერილი გამოიცვლება და გმირის ნაცვლად ანტაგონისტი იღუპება.
7. ანთროპოგონია ფოლკლორში, ძირითადად, კოსმოგონიურ გადმოცემებთან კავშირში გვხვდება. ქართული ფოლკლორი ბიბლიური შესაქმის უმთავრეს მოტივებს იმეორებს. ნაშრომში მოცემულია ბიბლიური ანთროპოგონიის ყველა ეტაპის - შექმნა-აკრძალვა-დარღვევა-დასჯა - ფოლკლორული ვერსიების შედარებითი ანალიზი ბიბლიასთან, ებრაულ ზეპირ გადმოცემებთან და როგორც ქართულ, ისე კოპტურ აპოკრიფებთან; ახსნილია ფოლკლორულ ინოვაციად მიჩნეული მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები; საქართველოს ყველა კუთხის ფოლკლორისგან გამორჩეული და განსხვავებულია აჭარული ფოლკლორის სპეციფიკა, რომელიც, გამორჩეული და განსხვავებულია ქართულ ფოლკლორში, რაც, ცხადია, მუსულმანური რელიგიის გავლენით აიხსნება.
8. ადამიანის მსოფლმხედველობა სამყაროს რეალური აღქმის საფუძველზე ავლენს უმაღლეს ღირებულებებსა და ცხოვრების ძირითად პრინციპებს; ამიტომ ყოველი

შემოქმედი თავისი სათქმელის გადმოსაცემად არაერთ ჟანრსა თუ გამოსახვის საშუალებას მიმართავს. ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ სიზმარზე, რომელსაც გარკვეული იდეური თუ ფუნქციური დატვირთვა ენიჭება. ამ შემთხვევაში საინტერესოა არა მხოლოდ „რა“, არამედ - „როგორ“, რა ფორმით. ვლინდება სათქმელი...

თუ მითოსში გმირი გველეშაპისაგან ჩაყლაპულ მზეს ათავისუფლებს, ზღაპარში იგი თავისი საცოლის (მზეთუნახავის) გათავისუფლებისთვის იბრძვის. რამდენადაც „დიდი ტრადიციების მქონეა ეროვნული ლიტერატურა, იმდენად დიდი შესაძლებლობა აქვს, შექმნას ეპოქის სახის განმსაზღვრელი პრინციპებითა და სპეციფიკური ეროვნული ნიშნებით აღბეჭდილი ადამიანი“.

ერის წარსულის გაცოცხლებისათვის ზეპირსიტყვიერებას მიმართავს აკაკი, რადგან „წარსულის დავიწყება წარსულზე ხელის აღებაა, იმისი დაკარგვა, დავიწყება კი ერის სიკვდილია.“

9. ხალხურ შემოქმედებას ხშირ შემთხვევაში ეყრდნობოდნენ ხოლმე თერგდალეულები, მათ შორის აკაკი წერეთელიც. გრიგოლ რობაქიძე წერდა: `ხალხურია ვაჟა, ხალხურია აკაკი. განსხვავება _ ვაჟას პოეზია მაშინაც ხალხურია, როცა იგი პიროვნულიცაა. აკაკის პოეზია პიროვნულია მაშინაც, როცა იგი ხალხურიცაა. პირველი _ ხალხურ-შობილი, მეორე _ ხალხურ-ქცეული.

აკაკის შესიხლხორცებული ჰქონდა ძველი პოეზიის ყველა დიდი ტრადიცია, სწორედ ამიტომ მას ყველასგან გამორჩეული, საკუთარი ხმა ჰქონდა. ქართული ლიტერატურის მეტრმა ქართულ მხატვრულ სიტყვას ახალი კანონი დაუდგინა.

აკაკის მსუბუქი, ნათელი და აზრტევადი სიტყვები კი თითქოსდა ხალხური სიბრძნიდანაა ამოკრეფილი. მის ლექსებს `მესტვირულს~ უწოდებდნენ. შინაარსის მხრივ აკაკი მეტწილად ხალხურ ზღაპრებსა და გადმოცემებს ემყარება. მის პოეზიაში სიზმრისეული და ზღაპრულ-ლეგენდური ხატები სჭარბობს. ხალხურ რეპერტუარზეა აგებული: „მედეა“, „პატარა კახი“, „გამზრდელი“, „თამარ ცბიერი“ და სხვ. ლირიკული ლექსები: „ყანა“, „სოფლური“, „ხალხური“, „ღმერთო, წვიმა მოიყვანე“, „მუშური“, „სიმღერა მკის დროს“, „ამირანი“ და სხვა მრავალი.

აკაკის „ნანინებიც“ ხალხურ ლექსებზეა აგებული.

ზოგჯერ მის ნაწარმოებებში ხალხური ლექსი უცვლელად არის შეტანილი.

10. ნაცარქექიას სახე მრავალგზის აქვს გამოყენებული აკაკი წერეთელს, რომელიც გააზრებული აქვ, როგორც დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის ფუნქციის მატარებელი გმირი. საბოლოოდ კი გააზრებული აქვს გამარჯვებული საქართველოს სიმბოლოდ.
11. ქალი ნოველისტურ ზღაპრებში უმეტესად ოჯახის წევრია:ცოლი,დედა,ქალიშვილი, რძალი,დედამთილი. ისინი არიან: ჭკვიანები, მოხერხებულები ,ერთგულები, შრომისმოყვარეები... ასევე არიან: სულელები, ზარმაცები, ანჩხლები, ზნიანები, ძუნწები, ენამწარენი, სტუმართმოძულენი.როგორც წესი,ჭკვიან ქალს სულელი ქმარი ჰყავს და ახერხებს მის მორჯულებას; სულელს კი-ჭკვიანი ქმარი. მართალია, ქმარი მის გამოსწორებას ვერ ახერხებს,მაგრამ კარგად იყენებს მის ჭკუასუსტობას და ქალის მიერ უნებურად ნაშოვნ განძსა თუ ქონებას იოლად ისაკუთრებს.
12. სიტყვა პარადიგმა ბერძნულად ნიმუშს ნიშნავს და ჩვენ იგი შეგვიძლია ავხსნათ, როგორც მოდელი, ჩარჩო. თავდაპირველად ამ სიტყვით აღწერდნენ სამეცნიერო თეორიებს, მაგ. ნიუტონის პარადიგმას ფიზიკაში, ევოლუციონისტურ პარადიგმას ბიოლოგიაში, ატომისტურ პარადიგმას ქიმიაში და ა.შ. დღეს უკვე ვსაუბრობთ ევკლიდურ პარადიგმაზე მათემატიკაში, მარქსისტულ პარადიგმაზე ისტორიაში, უტილიტარიანულ პარადიგმაზე ეთიკაში, რეალიზმის პარადიგმაზე ხელოვნებაში... შესაბამისად, ეს ყველაფერი გაერთიანდა ოთხ ძირეულ პარადიგმად და ამ ეტაპზე ვსაუბრობთ დედუქტიურ სისტემაზე, როგორც პარადიგმის პირველ ტიპზე ლოგიკისა და მათემატიკისათვის (მაგ. ევკლიდური ან რიმანის გეომეტრია), სამეცნიერო თეორიაზე, როგორც პარადიგმის მეორე ტიპზე საბუნებისმეტყველო და სოციალური მეცნიერებებისათვის (მაგ. ნიუტონის ფიზიკა), ნარატივზე, როგორც

პარადიგმის მესამე ტიპზე ისტორიასა და ლიტერატურაში (მაგ. ტრადიციული ნოველა) და ბოლოს სტილზე, როგორც პარადიგმის მეოთხე ტიპზე ხელოვნებაში (მაგ. იმპრესიონიზმი). ამ მიდგომით ნებისმიერი კულტურაც შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთგვარი პარადიგმა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეცდომად მიიჩნევა, როდესაც რომელიღაც ტექსტი ერთი გარკვეული პარადიგმის საკუთრებაა და მასში მეორე პარადიგმისთვის დამახასიათებელი ნიშნების ძებნას დავიწყებთ. თუკი თავიდანვე მივიჩნევთ, რომ შუა საუკუნეების ქართული ისტორია მონარქისტული ნარატივის, როგორც პარადიგმის ერთ-ერთი ტიპის, საკუთრებაა, მაშინ გასაგები ხდება ის სუბიექტურობაც, რაც ამ ტექსტებს ახასიათებს. ან კიდევ, თუკი ვიტყვით, რომ ჰაგიოგრაფია ცალკე ჯგუფია ნარატიულ პარადიგმაში, მაშინ ამ ტექსტების წაკითხვა და მათში ადამიანის უფლებადამცველთა საწინააღმდეგო მოსაზრებების ძიება სრული აბსურდი იქნება.

13. ზღაპარი „უკადვების მაძიებელი მზეჭაბუკი“ ერთ-ერთი მრავალმხრივ საინტერესო ფილოსოფიური ზღაპარია. ის არის საერთაშორისო გავრცელებისა და მსოფლიო ხალხთა ფოლკლორში არაერთი ტიპოლოგიური პარალელი მოეპოვება. „უკადვების მაძიებელი ჭაბუკით“ დაინტერესებულია ქართველი მწერალი ოთარ ჩხეიძეც, რომელსაც მისი მიხედვით დაუწერია პიესა ლექსად „უკვდავების ზღაპარი“. ეს პიესა ამ ზღაპრის არაერთ ვარიანტით საზრდოობს. ფოლლკორი მას ანიჭებს სიღრმეს და მიგვანიშნებს, რომ მწერალს იგი დიდი წარმატებით გამოუყენებია.
14. ფირდოუსის „შაჰ-ნამე“ მსოფლიო ლიტერატურის შედევრია. „შაჰ-ნამეს“ ქართულ ვერსივს „როსტომიანი“ ეწოდება, რადგან ის თითქმის როსტომის ციკლის ამბებით ამოიწურება. „როსტომიანის“ ერთ-ერთი ეპოზიდი არის როსტომის ძმისშვილის ბეჟანის სამიჯნურო თავგადასავალი, რომელიც ხალხში ცალკე მოთხრობად გავრცელებულია და ბოლოს ცალკე წიგნადაც გამოსულა რამდენჯერმე, პირველად 1879 წელს. ხალხში გავრცელებულ „ბეჟანიანს“ გასჩენია სხვადავხა ვარიანტები და საგმირო ეპოსის საინტერესო ნიმუშად ჩამოყალიბებულა, როგორც პოეტური, ასევე პროზაული და ნარევი სახით. მასში შეინშნება საგმირო პოეზიიდან აღებული არაერთი მხატვრული სახე და არაერთი ზღაპრული დეტალი, რაც იმას მოწმობს, რომ ეს ნაწარმოები უძველეს დროშივე გახალხურდა.
15. „მუჭანახევარა“ პოპულარული ქართული ხალხური ზღაპარია და მსგავსი ფაბულა სხვა ქვეყნებშიც გვხვდება. ამ ზღაპრის გმირი ყველაფერს უკუღმა ამბობს, სიტუაციის შეუფერებლად იქცევა, რისთვისაც მას ცემენ. გამოკვლევაში შესწავლილია „მუჭანახევარას“ ტიპოლოგიური პარალელები (როგორც სლოვაკური, აფრიკული, ბირმული, გერმანული, ესტონური, რუსული და სხვა ვარიანტები).

    „მუჭანახევარაში“ წარმოდგენილია ქართული ყოფის დეტალები: შრომის, ზეიმის თუ გლოვის მომენტები და სათანადო სიტუაციებში გამოსაყენებელი გამოთქმები. ეს ქართული ზღაპარი მხოლოდ ზღაპრის გმირის ხასიათით იჩენს მსგავსებას სხვა ხალხთა ზღაპრებთან.
16. ნაშრომში შესწავლილდია ჯანსულ ჩარკვიანის ლექსების და პოემების მიმართება ფოლკლორთან, როგორც ქართულთან, ასევე ასევე ანტიკურ და შუამდინარულ მითოსთან, ეს კი საინტერესოს ხდის მის პოეზიას.
17. გურიაში მოძიებული ვარიანტები გამოირჩევიან თემატიკური სიახლით და არქაულობით. მათში გმირის დასჯაც ორიგინალურია იმ აზრით, რომ ამირანს ღმერთი არასოდეს გამოუწვევია საჭიდაოდ, თუ საბრძოლველად, თვით სულიერი ძალებიც განსაკუთრებული მზრუნველობით ეპყრობოდნენ მას. მაცხოვარი ნათლულის ნაკლოვანებების მიმტევებელია... ამირანმა ბოლომდე ვერ გაუძლო უმაღლესი იერარქიული ძალების სულიერ გამოცდას და კიდევაც დაისაჯა. საინტერესოა, ერთ-ერთ ჩანაწერში ამირანის მიმჯაჭველები წინასწარმეტყევლები რომ არიან, ხოლო ვარიანტში „კალმახელა“ცენტრალური გმირი კლდეზე მჭედლებმა გააკრეს ხელებითა და ფეხებით. ეს კი ახალი ელემენტია ძეგლის კვლევის ისტორიაში.
18. ამირანი აკაკი წერეთლის პოემებში: „თორნიკე ერისთავი“, „მედეა“, „ნათელა“ ჩაგრული

	საქართველოს სიმბოლოდაა წარმოდგენილი, პრომეთეს ტიპის გმირად. პრომეთემ ოლიმპოდან მოიპარა ცეცხლი და ადამიანებს გადასცა. მიუხედავად იმისა, რომ ადრეულ ჩანაწერებში არ დასტურდება ამირანი როგორც ცეცხლის მომტანი გმირი, აკაკიმ ეს იწინასწარმეტყველა. მართლაც, XX ს-ში მოპოვებული ვარიანტების მიხედვით, ცეცხლი ამირანმა ქვესკნელის ძალებს წარსტაცა, ამოიტანა სამზეომე და ასწავლა ადამიანებს მისი გამოყენება. მასვე მოეწერება კერიისა და სხვა მთელი რიგი ფასეულობების დაარსება მიწიერ სამფლობელოში.
19.	„კალმახელა“ რიგით მეოთხე ვარიანტია სვანური ჩანაწერების შემდეგ, სადაც ამირანი კულტურული გმირის ყველა ნიშან-თვისებებითა არის წარმოდგენილი. მან ადამიანებს ასწავლა ცეცხლის დანთების ხელოვნება, შენახვა და გამოყენება. მასვე მიეწერება კერამიკის გამოწვა და სხვა ფასეულობებიც.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ქ. ელაშვილი	ლიბერალიზმის ეპოქის სიმბოლური პირიოვნებანი (გარიბალდი, მაძინი, კოშუტი, ხოსე მარტი, ბელინსკი, გერცენი, ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი		თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2015	გვ.29-97
2	ქ. ელაშვილი	ზნეობრივი დისკურსი - სიკვდილით დასჯის თაობაზე (ილია, მ.ჯავახიშვილი)		თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2015	გვ. 98-113
3	ქ. ელაშვილი	იმქვეყნიური სამყაროს „მხატვრული ენა“ (ტერენტი გრანელი)	ლექსმცოდნეობის VIII სამეცნიერო სესია	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2014/2015	გვ.75-79
4.	ქ. ელაშვილი	ლიბერალიზმის ეპოქის საკულტო ფიგურათა	IX საერთაშორისო სიმპოზიუმი	თბილისი, თსუ	იბეჭდება,

		აკაკისეული რემარკა	ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა (სიმპოზიუმი ეძღვნება აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან 100 წლისთავს)	გამომცემლობა, 2015	11 გვ.
5.	ზ. აბზიანიძე	ლიბერალიზმის ეპოქა და მისი მნიშვნელობა ჩვენი თანამედროვეობისათვის	ლიბერალიზმის ეპოქა ქართულ ლილტერატურაში	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2015	გვ. 5-10,
6.	ზ. აბზიანიძე	ლიბერალიზმის ეპოქის პირმშონი	ლიბერალიზმის ეპოქა ქართულ ლილტერატურაში	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2015	გვ. 252-370
		«Две Анны»	ჟურნ. «Русский клуб»,		
7.	ზ. აბზიანიძე	„კითხვა განთიადის შუქზე“	ჟურნ. „ცისკარი“, №9,	2015,	გვ. №8 18-20
8.	ზ. აბზიანიძე	„დაკარგული იდენტობის ძიებაში“	ჟურნ. „ცისკარი“, 2015, №6,	2015	გვ.45–51
9.	ზ. აბზიანიძე	„ქართულ კალეიდოსკოპში დანახული	ჟურნ. ‘სჯანი“, 2015, № 19	2015	გვ.147–154
10.	ზ. აბზიანიძე	დრამატული სურათები“		2015	გვ. 286–290

11.	ზ. აბზიანიძე	„კითხვა განთიადის შუქზე“	IX საერთაშორისო სიმპოზიუმი ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა (სიმპოზიუმი ეძღვნება აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან 100 წლისთავს)	2015	იბეჭდება, 11 გვ.
12.	ზ. აბზიანიძე	„სონეტი, როგორც გვირგვინი“	ვახუშტი კოტეტიშვილი, „სონეტები“	თბ., საქართველოს მწერალთა სახლი, 2015	გვ.3–7
13.	ზ. აბზიანიძე	„პოეზიად გარდასახული პროზა“ რედაქტორი	სალომე მაკარიძე, „ჩვენ“ (ლექსები) ქ. ელაშვილი „ანბანთთამანი“	თბ., გამ–ბა „სიესტა“, 2015	გვ.3–6
14.	ზ. აბზიანიძე			თბილისი, გამომცელობა „პეგასი“, 2015	

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. ლიბერალიზმის ეპოქის სიმბოლური პირიოვნებანი (გარიბალდი, მაძინი, კოშუტი, ხოსე მარტი, ბელინსკი, გერცენი, ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი) და ამ საკულტო ფიგურათა ინტეგრირება XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში.
2. ზნეობრივი დისკურსი - სიკვდილით დასჯის თაობაზე (ილია, მ.ჯავახიშვილი).
3. საკვლევი თემის ირგვლის გაერთიანებული მეცნიერების მიზანი იყო XXI საუკუნის გადასხედიდან, თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენებით, შესწავლილ იყო XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი - ლიბერალიზმის ეპოქა, გამოკვეთილიყო ამ ეპოქის ლიდერთა მკაფიო პორტრეტები და თვალსაჩინოდ წარმოჩენილიყო ამ ეპოქის მნიშვნელობა დღევანდელი დღისათვის.

4. სახისმეტყველებისაგან დაცლილი იმქვეყნიური სამყაროს „რეკვიზიტების“ მხატვრული ენის სპეციფიკა;
5. ლიბერალიზმის საკულტო ფიგურათა აკაკისეული რემარკით წარმოდგენილი პოლიტიკური დისკრუსი;
6. კრებულის რედაქტორის წინასიტყვაობა, რომელშიც ჩამოყალიბებულია ამ სამეცნიერო ნაშრომის აქტუალურობა ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიის შესწავლისათვის.
7. ლიბერალიზმის ეპოქის გამოჩენილ მოღვაწეთა - ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, ვაჟა-ფშაველას და ალექსანდრე ყაზბეგის ლიტერატურული პორტრეტები, რომლებშიც თვალმიდევნებულია მათი მოღვაწეობის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი დისკურსი.
8. წერილში მიმოხილულია 1914 წელს ლიტერატურის მუზეუმის მიერ გამოცემული სამახსოვრო ალბომი „ორი ანა“, რომელშიც შესულია ანა კალანდაძის უნიკალური ხელნაწერი რვეული, მიძღვნილი ანა ნიკოლაძისა და გიორგი აბზიანიძისადმი და ანა ნიკოლაძის ფერწერული ნამუშევრები.
9. გამოკვლევა წარმოადგენს აკაკის ლირიკული შედევრის შექმნის ისტორიისა და ახლებური ინტერპრეტაციის ცდას.
10. რეცენზიაში მიმოხილულია ფილოსოფოს ზაზა ფირალიშვილის სტატიების კრებული „ქართული კალეიდოსკოპი“.
11. ვრცელ რეცენზიაში მიმოხილულია ფილოსოფოს ზაზა ფირალიშვილის სტატიების კრებული „ქართული კალეიდოსკოპი“.
12. გამოკვლევა წარმოადგენს აკაკის ლირიკული შედევრის შექმნის ისტორიისა და ახლებური ინტერპრეტაციის ცდას.
13. წინასიტყვაობა ვახუშტი კოტეტიშვილის საქართველოს მწერალთა სახლის მიერ გამოცემული „სონეტებისა“, რომელიც ფაქტობრივად პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ბოლო ეტაპის ესეისტურ სურათს წარმოსახავს.
14. წინასიტყვაობა სალომე მაკარიძის ლექსების პირველი კრებულსათვის, „ჩვენ“, რომელშიც აღნიშნულია ახალგაზრდა შემოქმედის ორიგინალური პოეტური სამყაროს თავისებურებანი.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მარინე ტურაშვილი	ქართული ზეპირსიტყვიერება მსოფლიო მითოლოგიის კონტექსტში/ ინტერნეტპუბლიკაცია	ინტერნეტპუბლიკაცია	საქართველო, თბილისი	6 გვ.
2	მარინე ტურაშვილი	ქართული ფოლკლორი – ხმოვანი საარქივო ჩანაწერები	კომპაქტდისკი	საქართველო, თბილისი, გამომცემლობა “იდიალ გლობალი”	-
3.	მარინე ტურაშვილი (თანაავტორი)	გოგილაანთ ქალქვა	ბუკლეტი	საქართველო, თბილისი, გამომცემლობა “იდიალ გლობალი”	4 გვ.
	მარინე	ქართული ხალხური	-	საქართველო,	2 გვ.

	ტურაშვილი	ცხოველთა ზღაპრების ტიპთა ელექტრონული კატალოგი/კონფერენციის მასალები		თბილისი, არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი	

სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	რ.ჩოლოყაშვილი, ი.ყველაშვილი	Lazybones as the Symbol of the Victorious Georgia in Akaki Tseretely Works (ნაცარქექია გამარჯვებული საქართველოს სიმბოლო აკაკი წერეთლის შემოქმედებაში)	IX საერთაშორისო სიმპოზიუმი, 23-25 სექტემბერი, თბილისი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
2.	რ.ჩოლოყაშვილი	Magic Fairytale _Praises of Sun Deity (ჯადოსნური ზღაპარი მზის სადიდებელი)	თელავის lll საერთაშორისო კონფერენციის “კულტურათშორისი დიალოგები“, თელავი, 2015 9-11 -ოქტომბერი
3	რ.ჩოლოყაშვილი	The Transformation forms of Face-symbols and Separate motives in fabulous Epic (სახე-სიმბოლოთა და ცალკეულ მოტივთა ტრანსფორმაციის ფორმები ზღაპრულ ეპოსში)	ქართველოლოგიის საერთარისო კონგრესი, საქართველის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბილისი, 2015 11-13 ნოემბერი
4.	ე. ინწკირველი	„ადამის ხელწერილის“ ბიბლიური სახის ფოლკლორული ტრანსფორმაციის საკითხი	ფოლკლორისტთა სამეცნიერო კონფერენცია 52, თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტი, 2015 წ. 3 ივნისი.
5.	ე. ინწკირველი	ბიბლიური სიუჟეტის ხალხურ	მე-9 საერთაშ. სიმპოზიუმი

6.	ე. ინწკირველი	ტრადიციაში ტრანსფორმაციის საკითხი	„ტრადიცია და ანამედროვე მწერლობა“, თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტი, 2015 წლის 23-25 სექტემბერი.
7.	ე. ინწკირველი	ბიბლიური ,,ურიას წერილის“ ტრანსფორმაცია ბედისწერასთან დაკავშირებულ ქართულ ნოველისტურ ზღაპრებში	III საერთაშ. კონფერენცია „კულტურათშორისი დიალოგები“, თელავი, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015 წლის 9-11 ოქტომბერი.
8.	ე. ინწკირველი	ესქატოლოგიური მითოსის კოსმოგონიური ასპექტები	VII საერთაშ. სამეცნიერო კონფერენცია, ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკა, ქუთაისი, 2015 წლის 24-25 ოქტომბერი.
9.	ნინო ბალანჩივაძე	ქაოსისა და კოსმოსის სემიოტიკა ქართულ ხალხურ წარღვნის ლეგენდებში	სემიოტიკის მე-6 სამეცნიერო კონფერენცია „ქალაქის სემიოტიკა და სემიოტიკა ქალაქში“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2015 წლის 31 ოქტომბერი.
10	ნინო ბალანჩივაძე	დემონურ არსებათა ცხოვრების წესი, მათი საქმიანობის ამსახველი სიუჟეტები და მხატვრულ-გამომსახველობითი ტრანსფორმაციის ფორმები	ფოლკლორისტთა სამეცნიერო კონფერენცია 52, თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტი, 2015 წ. 3 ივნისი.
11.	ეკა ჩხეიძე	სიზმრით გამოხატული აკაკის მსოფლმხედველობა	

12.	ეკა ჩხეიძე	მითოსური მოტივებისა და სახე-სიმბოლოების ტრანსფორმაციის ფორმები ხალხურ სატრფიალო პოეზიაში	მე-9 საერთაშ. სიმპოზიუმი „ტრადიცია და ანამედროვე მწერლობა“, თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტი, 2015 წლის 23-25 სექტემბერი.
13	ი.ყველაშვილი, რ. ჩოლოყაშვილი	ზეპისტიყვიერების ტრადიციები აკაკის შემოქმედებაში	ფოლკლორისტთა 52-ე სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 3 ივნისი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
14	ი.ყველაშვილი	Lazybones as the Symbol of the Victorious Georgia in Akaki Tseretely Works (ნაცარქექია გამარჯვებული საქართველოს სიმბოლო აკაკი წერეთლის შემოქმედებაში)	მე-9 საერთაშ. სიმპოზიუმი „ტრადიცია და ანამედროვე მწერლობა“, თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტი, 2015 წლის 23-25 სექტემბერი.
15.	ნესტან რატიანი	ქალის სახე ნოველისტურ ზღაპრებში	IX საერთაშორისო სიმპოზიუმი, 23-25 სექტემბერი, თბილისი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
		“სურამის ციხე” და “სურამიადა”	ფოლკლორისტთა 52-ე სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 3 ივნისი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

			ფოლკლორისტთა 52-ე სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 3 ივნისი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

მოხსენებათა ანოტაციები

1. ნოველისტური ზღაპრის გმირის-ნაცარქექიას სახე აქ გააზრებულია როგორც საზოგადოებრივი მნიშვნელობის ფუნქციის მატარებელი უძველესი ტრადიციების დამცველი პერსონაჟი -კერაზე მზრუნველი, ნაცრით საკრალური გამოსახულების გამომყვანი,ოჯახის(სოფლის) განწმენდის მიზნით განტევების ვაცის ფუნქციის შემსრულებელი (ამიტომ მოხვდა ის დევების სამოსახლოში).ყოველივე ამის საფუძველზე აღწევს ის საბოლოო გამარჯვებას. აკაკი წერეთელმაც სწორედ ასეთი ღირსებების გამო გაიაზრა ეს გმირი გამარჯვებული საქართველოს სიმბოლოდ,როცა ხალხური ზღაპარი „ნაცარქექია“ გაითავისა.
2. ქართული ჯადოსნური ზღაპრის დასაწყის ფორმულაში ღვთაება მოიხსენიება და ქრისტიანები ქრისტიანულ ღვთაებას ვგულისხმობთ.ადრეული გააზრებით კი ამ უძველეს ნაწარმოებში უძველესი ღვთაება-მზე უნდა იგულისხმებოდეს.ამის დასტურად ღვთაების წინ ფრინველის (შაშვის) ხსენებაც გამოდგება.ფრინველი გვხვდება სხვა ხალხთა ზღაპრების დასაწყის ფორმულებშიც. ფრინველი კი მზის მეტამორფოზულ სახესხვაობად ითვლებოდა უძველესი გააზრებით და თვით მზე ფრთებით გამოისახებოდა.გარდა ამისა ზღაპრის გმირებიც დაფრინავენ (დამოუკიდებლად თუ ამხედრებულნი).ამდენად, ზღაპრის გმირის გამარჯვება მზის ღვთაების გამარჯვებაად გაიაზრება.
3. . ზღაპრული ეპოსის სახე-სიმბოლოები თუ ცალკეული მოტივები მითოსური აზროვნებიდან იღებს სათავეს და მასში უძველესი აზროვნების ეტაპები ჩანს. მაგ., მელიას სახე ადრეულ ზღაპრებში ტრიქსტერია-მოხერხებული, ცბიერი, დაუნდობელი; განვითარებული მიწათმოქმედების პერიოდში კი შეუძლია: ვენახის, ხეხილის, ყვავილნარის გაშენება. რაც შეეხება მოტივებს, ზღაპარში ინიციაციის რიტუალზე შეიძლება ითქვას, რომ ისიც განიცდის ტრანსფორმაციას,დროთა განმავლობაში მისი თავდაპირველი მნიშვნელობის დავიწყების გამო. ეს რიტუალი,რომელიც მოზარდის სასიკეთოდ სრულდებოდა, ზღაპარში თანდათან ტრაგიკულ ელფერს იძენს.
4. მოხსენებაში განხილულია ქართულ და სხვადასხვა ხალხის ფოლკლორში გავრცელებული ე.წ. „ადამის ხელწერილის“ მოტივი, მოცემულია მისი ტიპოლოგიური ანალიზი და შედარებულია სავარაუდო პირველწყაროებთან: პავლე მოციქულის ეპისტოლესა და ღვთისმშობლის დაუჯდომელის შესაბამის მუხლებთან.
5. მოხსენების თემაა ქართულ ხალხურ წარღვნის ლეგენდებში ცნობილი ე.წ. „კამეჩის მოტივი“, რომელიც ამ დრომდე ორიგინალურ ქართულ მოტივად ითვლებოდა. ტიპოლოგიური კვლევისას გამოიკვეთა, რომ მსგავსი მოტივი მხოლოდ ქართულ და აფხაზურ ფოლკლორში გვხვდება, ხოლო მათი პირველწყარო თალმუდში იძებნება.
6. მოხსენებაში გაანალიზებულია ქართული ნოველისტური ზღაპრები, რომლებშიც ვხვდებით ცნობილი ბიბლიური „ურიას წერილის“ ფოლკლორულ ტრანსფორმაციას. მოტივი ბიბლიურ დავით წინასწარმეტყველთან კი არ

ასოცირდება ფოლკლორში, არამედ ზღაპრის გმირთან, რომლის მუხანათური მოკვლა სურთ. ფოლკლორში ხდება ,,ურიას წერილის“ გამოცვლა მჩუქებლის მიერ, ამიტომ გმირი გადარჩება, ხოლო მახეში თვითონ ანტაგონისტი ებმება და იღუპება.

7. მოხსენებაში შესწავლილია ესქატოლოგიური მითოსის კოსმოგონიური ასპექტები, გამოკვეთილია ესქატოლოგია-კოსმოგონიის მითოსის საერთო წარმომავლობის საფუძვლები, სხვადასხვა ფოლკლორული ჟანრის - ლეგენდა, შელოცვა, ხალხური პოეზია, ხალხური ზღაპარი - შედარების საფუძველზე გაანალიზებულია კიდობნის, როგორც წარღვნის მითოსის უმთავრესი ლექსიკური ერთეულის ორმაგობა: კიდობანი ქართული ფოლკლორული მასალის მიხედვით არის როგორც სიკვდილის, ისე ახლად დაბადების სიმბოლო.
8. მოხსენებაში გაანალიზებულია ცნობილი ქართული მითოლოგიური გადმოცემა - გველეშაპისა და ხარის ბრძოლა, რომელიც ქაოსისა და კოსმოსის ბრძოლის ზოოლოგიური ასახვაა. მითოლოგიურ ნარატივში ერთმანეთს უპირისპირდება არა მხოლოდ გველეშაპი და ხარი, არამედ ქაოსისა და კოსმოსის სხვა კორელატები: ზღვა და ხმელეთი, წყალი და მიწა, დევი და კოპალა და სხვ.
9. მოხსენებაში შემოვიფარგლეთ დემონურ არსებათა ცხოვრების წესისა და საქმიანობის ამსახველი სიუჟეტებით, როდესაც მჟღავნდება როგორც მათი ეშმაური ბუნება, ისე ღვთიურობა.

კეთილი საწყისის განმასახიერებელი არსება შესაძლოა ეპოქალურ ცვლილებათა შედეგად ბოროტ სულად იქცეს და ბოროტი - ღვთიურ არსებად: ეშმაკი დასაბამით კეთილისა არსებისაგან შექმნაო უფალმა- აღნიშნავს სულხან-საბა ორბელიანი- „როგორც ანგელოზივ ღვთის წინაშე, ეგრევ ეშმაკივ. ისინივ თანაბარ უფლებით მიდიანავ. ღვთით აქვ ნება და მიდიანავ“;დევებმა კაცისათვის გაფიცვა-გაძმობილებაც იციან და მოსისხლეობაც; წყლის ღვთაება ძიძლანი; დედაბერი; ფასკუნჯი...

10. მოხსენებაში ყურადღება გავამახვილეთ სიზმარზე, რომელსაც გარკვეული იდეური თუ ფუნქციური დატვირთვა ენიჭება როგორც ზეპირსიტყვიერებაში ისე მხატვრულ ლიტერატურაში . ამ შემთხვევაში საინტერესოა არა მხოლოდ ,,რა“, არამედ - „როგორ“, რა ფორმით. ვლინდება სათქმელი...

თუ მითოსში გმირი გველეშაპისაგან ჩაყლაპულ მზეს ათავისუფლებს, ზღაპარში იგი თავისი საცოლის (მზეთუნახავის) გათავისუფლებისთვის იბრძვის. რამდენადაც „დიდი ტრადიციების მქონეა ეროვნული ლიტერატურა, იმდენად დიდი შესაძლებლობა აქვს, შექმნას ეპოქის სახის განმსაზღვრელი პრინციპებითა და სპეციფიკური ეროვნული ნიშნებით აღბეჭდილი ადამიანი“.

ერის წარსულის გაცოცხლებისათვის ზეპირსიტყვიერებას მიმართავს აკაკი უყოყმანოდ,

რადგან „წარსულის დავიწყება წარსულზე ხელის აღებაა, იმისი დაკარგვა, დავიწყება კი

ერის სიკვდილია.“

11. მოხსენებაში ყურადღება გავამახვილეთ ტროპის სახეებზე (მეტაფორა, ეპითეტი, შედარება, ჰიპრბოლა, პარალელი),რომლებიც ხალხურ სატრფიალო ლექსებში გმირის ფიზიკური სილამაზის, მშვენიერების გამოხატვას ემსახურება: `გიშრის თმანი, ლერწამი ტანი, დილის ვარდი, ალვის ხე, იის ნაშობი, ბროლის თითნი, ობოლი მარგალიტი, მაისის ვარდი, ლალის ფერი~. უნდა აღინიშნოს, რომ უმეტესობა ამ ტიპის ეპითეტებისა შედარებაზეა აგებული და მათი მეტაფორულობა შეიძლება კონტექსტით აღვადგინოთ. ტროპის სახეები ხელს უწყობს ლირიკული ლექსის ხატოვანებას, სინამდვილის ემოციურ ასახვას, მონაწილეობს ლექსის ორგანიზებაში, მის კომპოზიციურ შეკვრაში. იგი ხშირად წარმართავს სატრფიალო პოეზიაში ლექსის მუსიკალურ მხარესაც.

ამასთანავე, შევისწავლეთ რა სატრფიალო პოეზიაში მხატვრული მიზნით გამოყენებული ძვირფასი ქვები (თვალნი პატიოსანნი), ვნახეთ, რომ ფერების

მიხედვით პატიოსანი თვლები ამგვარ სურათს გვიჩვენებენ: თეთრი ფერის გამოსახატავად გამოყენებულია მარგალიტი და ბროლი; ალმასი და სადაფი; ეს არ არის უბრალოდ თეთრი, არამედ იგია ელვარე, ბრწყინვალე და შუქთა მფენი. ელვარე თეთრი ფერით დახატულია გმირის სახე, ყელი, კბილი, შუბლი, ცხვირი, თითები. თეთრი კეთილშობილებისა და სილამაზის ფერია. წითელი ფერის დასახატავად გამოყენებულია ლალი. ლალის საშუალებით ნაჩვენებია ქალის „ლოყა“ და „ტუჩი“. პატიოსანი თვლების სიმრავლე და მათი მხატვრული ფუნქციის მრავალგვაროვნება მხატვრული აზროვნების გარკვეულ დონეზე მიგვანიშნებს.

12. ხალხურ შემოქმედებას ხშირ შემთხვევაში ეყრდნობოდნენ ხოლმე თერგდალეულები, მათ შორის აკაკი წერეთელიც. გრიგოლ რობაქიძე წერდა: „ხალხურია ვაჟა, ხალხურია აკაკი. განსხვავება _ ვაჟას პოეზია მაშინაც ხალხურია, როცა იგი პიროვნულიცაა. აკაკის პოეზია პიროვნულია მაშინაც, როცა იგი ხალხურიცაა. პირველი _ ხალხურ-შობილი, მეორე _ ხალხურ-ქცეული“.
აკაკის შესიხლხორცებული ჰქონდა ძველი პოეზიის ყველა დიდი ტრადიცია, სწორედ ამიტომ მას ყველასგან გამორჩეული, საკუთარი ხმა ჰქონდა. ქართული ლიტერატურის მეტრმა ქართულ მხატვრულ სიტყვას ახალი კანონი დაუდგინა.
აკაკის მსუბუქი, ნათელი და აზრტევადი სიტყვები კი თითქოსდა ხალხური სიბრძნიდანაა ამოკრეფილი. მის ლექსებს „მესტვირულს“ უწოდებდნენ. შინაარსის მხრივ აკაკი მეტწილად ხალხურ ზღაპრებსა და გადმოცემებს ემყარება. მის პოეზიაში სიზმრისეული და ზღაპრულ-ლეგენდური ხატები სჭარბობს. ხალხურ რეპერტუარზეა აგებული: „მედეა“, „პატარა კახი“, „გამზრდელი“, „თამარ ცბიერი“ და სხვ. ლირიკული ლექსები: „ყანა“, „სოფლური“, „ხალხური“, „ღმერთო, წვიმა მოიყვანე“, „მუშური“, „სიმღერა მკის დროს“, „ამირანი“ და სხვა მრავალი.

13. ნაცარქექიას სახე მრავალგზის აქვს გამოყენებული აკაკი წერეთელს, რომელიც გააზრებული აქვ, როგორც დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის ფუნქციის მატარებელი გმირი. საბოლოოდ კი გააზრებული აქვს გამარჯვებული საქართველოს სიმბოლოდ

14. ქალი ნოველისტურ ზღაპრებში უმეტესად ოჯახის წევრია:ცოლი,დედა,ქალიშვილი, რძალი,დედამთილი. ისინი არიან: ჭკვიანები, მოხერხებულები ,ერთგულები, შრომისმოყვარეები... ასევე არიან: სულელები, ზარმაცები, ანჩხლები, ზნიანები, ძუნწები, ენამწარენი, სტუმართმოძულენი.როგორც წესი,ჭკვიან ქალს სულელი ქმარი ჰყავს და ახერხებს მის მორჯულებას; სულელს კი-ჭკვიანი ქმარი. მართალია, ქმარი მის გამოსწორებას ვერ ახერხებს,მაგრამ კარგად იყენებს მის ჭკუასუსტობას და ქალის მიერ უნებურად ნაშოვნ განძსა თუ ქონებას იოლად ისაკუთრებს.

15. მაშინ, როდესაც ისტორიული სურათის აღსადგენად წყაროების სიმცირეს განვიცდით, შესაძლოა, რიგითი ადამიანის ჩანაწერები დღიურის ფორმით უნიკალურ მასალად იქცეს. თუმცა ცნობილია, რომ ასეთი დღიურები, შინაარსიდან გამომდინარე, სუბიექტურია და მომხდარი ამბების სელექციასა და ფილტრაციას ახდენს ავტორის შეხედულებისამებრ. მიუხედავად იმისა, რომ დღიური ისტორიული რეალობის აღდგენის საქმეში ერთადერთ წყაროდ ვერ გამოდგება, იგი ხშირ შემთხვევაში მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. თუნდაც დღიურის საშუალებით საკვანძო მომენტებს ნათელი არ მოეფინოს, იმას მაინც გავიგებთ, რა ემოციები ჰქონდათ თავად ადამიანებს. ამ მხრივ გამონაკლისი არც მოქალაქე-მღვდლის ნიკიტა თალაქვაძის დღიურია (“მოქალაქე-მღვდელი” თავად ნიკიტას ტერმინია).

ტექსტი მრავალ ღირსშესანიშნავ ინფორმაციას შეიცავს და მისი გაცნობის შემდეგ საშუალება გვეძლევა, ახალი კუთხით შევხედოთ, გადავიაზროთ მანამადე არსებული მოსაზრებები და დამკვიდრებული შეხედულებები. საინტერესოა ნიკიტა თალაქვაძის დღიურში მოთხრობილი ერთი ამბავი, რომელსაც თავად ავტორი “სურამიადას” უწოდებს. ინციდენტს 1922 წლის წყალკურთხევის დროს ჰქონდა ადგილი. კომუნისტი ფსევდოხელოვანების

გარკვეულმა ჯგუფმა ფილმისთვის ლიტანიისას სამღვდელოების რამდენიმე წარმომადგენელი გადაიღო ბოტანიკურ ბაღში. ამ სასულიერო პირების შერჩევა მათი ფიზიკური მონაცემებიდან გამომდინარე მოხდა, რადგან მაყურებლისთვის ვიზუალიზაციის გზით ჩაენერგათ აზრი, რომ ყველა სასულიერო პირი ღიპიანი და ჭამას დახარბებული იყო. პრემიერას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. ამბავმა კათოლიკოს ამბროსის ყურამდეც მიაღწია, რაზეც დეკანოზ ნიკიტა თალაქვაძეს ახსნა-განმარტების გაკეთება მოუწია, თუ როგორ მოხდა სინამდვილეში "სურამიადაში" სამღვდელოების ჩართვა.

წიგნში ამ ამბის დეტალურ განხილვას თითქმის ასი გვერდი ეძღვნება და შეეხება დანიელ ჭონქაძის ცნობილ, ერთ დროს საპროგრამო ნაწარმოებად მიჩნეული ნაწარმოების ფილმად ქცევის პროცესში, მანამდე და შემდგომ მომხდარ გაუგონარ ამბავს. მოქალაქე-მღვდლის ჩანაწერების გაცნობის შემდეგ სურვილი გამიჩნდა, ახალი თვალით წამეკითხა "სურამის ციხეც", მასში აღწერილ ამბებთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურე, კონტექსტის გასაგებად საჭირო ნაშრომები (მათ შორის ფილიპე მახარაძის ნაშრომიც, ამ ნაწარმოებს რომ მიუძღვნა) და გამომეკვლია: ტექსტში დასმული რომელი საკითხები გამოიყენა საბჭოთა ხელისუფლებამ სათავისოდ და რა მიზნით შესთავაზა მოსახლეობას ნაწარმოების საკუთარი ინტერპრეტაცია. გარდა ამისა შემესწავლა დღიურში აღწერილი ბურუსით მოცული ამბავი, რომელმაც დიდი განხეთქილება გამოიწვია სასულიერო წრეებში. ამ მიზნით საჭიროდ მივიჩნიე ისტორიული კონტექსტის გათვალისწინება და "სურამის ციხის" ლეგენდის დამუშავება, რათა უკეთ გამერკვია, თუ როგორ შეასრულა მარქსისტ ხელოვანთა ტენდენციურმა ჯგუფმა მკრეხელური მისია და როგორ მოახდინა ფაქტების ფალსიფიცირება (ლეგენდის არაწორი ინტერპრეტაციის საფუძველზე), როგორ ჩაითრია ავანტიურაში მოტყუებული სამღვდელოება და როგორ მოახდინა რეალობის მოდელირება.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.	ქ. ელაშვილი	ლიტერატურული ზღაპრის ფენომენი (წითელქუდა → წითელკუდა)	2015, 3 ივნისი ფოლკლორისტთა სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, 52, ეძღვნება აკაკი წერეთლის 175 წლისთავს.
2.	ქ. ელაშვილი	ლიბერალიზმის ეპოქის საკულტო ფიგურათა აკაკისეული რემარკა	2015 წლის 23–25 სექტემბერი IX საერთაშორისო სიმპოზიუმი ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა (სიმპოზიუმი ეძღვნება აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან 100 წლისთავს

3.	ზ. აბზიანიძე	კითხვა განთიადის შუქზე	2015 წლის 23–25 სექტემბერი IX საერთაშორისო სიმპოზიუმი ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა (სიმპოზიუმი ეძღვნება აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან 100 წლისთავს). თბილისი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
4.	ზ. აბზიანიძე	ლიტერატურა, როგორც ალტერნატიული ისტორია: პოსტსაბჭოთა კონფლიქტები ქართულ პროზაში	17-19 სექტემბერი, 2015. თსუ, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „რუსეთ და საქართველო იმპერიის შემდეგ - კულტურულ-ლიტერატურული ასპექტები“ (კრებული იბეჭდება, 12 გვ.)

მოხსენებათა ანოტაციები

1. ქრესტომათიულ ზღაპრული სქემის ლიტერატურულ ზღაპრად ტრანსფორმაციის ფნომენი. /თეზისი/ - გვ. 17-18
2. ლიბერალიზმის საკულტო ფიგურათა აკაკისეული რემარკით წარმოდგენილი პოლიტიკური დისკრუსი;
3. გამოკვლევა წარმოადგენს აკაკის ლირიკული შედევრის შექმნის ისტორიისა და ახლებური ინტერპრეტაციის ცდას.
4. მოხსენებაში თვალმიდევნებულია თანამედროვე პროზის ის ნაწარმოებები, რომლებშიც აისახა იმპერიული ძალების მიერ პროვოცირებული კონფლიქტები ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მარინე ტურაშვილი	**ქართული ხალხური ცხოველთა ზღაპრების ტიპთა ელექტრონული**	თბილისი, საქართველოს პარლამენტი

		კატალოგი	
2	მარინე ტურაშვილი	გოგილაანთ ქალქვა	თბილისი, კოსტავას 5, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

მოხსენებათა ანოტაციები

ქართული ხალხური ცხოველთა ზღაპრების ტიპთა ელექტრონული კატალოგი

საარქივო ჩანაწერების ანალიზი ცხადყოფს, რომ ქართული ხალხური ზღაპრები ტექსტების საერთო რაოდენობის 10%-ს შეადგენს, რაც ამ ჟანრის მნიშვნელობის უტყუარი დასტურია. ცხოველთა ზღაპრები კი საზღაპრო ეპოსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ჯგუფია, რომელსაც თავისებური ფორმა და შინაარსი აქვს. მათი ფიქსაცია, ისევე როგორც ზეპირსიტყვიერების სხვა ნიმუშების, აქტიურად XX საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება, თუმცა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში საკმაოდ ღირებული ტექსტებია ჩაწერილი.

საქართველოში ზღაპრების კატალოგიზაციის რამდენიმე ნაშრომი არსებობს. ცხოველთა ზღაპრის შესწავლის საქმეში ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ელ. ვირსალაძის დამსახურება (1960 წ.). 1970 წლიდან ქართული ზღაპრის სიუჟეტთა საძიებელზე მუშაობდა თ. ქურდოვანიძე, ხოლო ცხოველთა ეპოსის კლასიფიკაციასა და სიუჟეტურ საძიებელზე იმუშავა რ. ჩოლოყაშვილმა (2004 წ.).

ზღაპრების კატალოგიზაციის ყველაზე სრულყოფილ საერთაშორისო ნაშრომად მიიჩნევა 2004 წელს პროფ. ჰანს იორგ-უთერის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომი („თჰი თყპეს ოფ Iნტერნატიონალ ოლკტალეს, ჩლასსიფიცატიონ ანდ იბლიოგრაპჰყ ასედ ონ ტჰე შყსტემ ოფ ნტტი არნე ანდ შტიტჰ თჰომპსონ, ბყ ანს-Iორგ ტჰერ, ელსინკი), რომელიც ტიპოლოგიური და კომპარატიული ანალიზის საშუალებას არ იძლევა. აღნიშნული ნაშრომი ეყრდნობა არათანაბარ რეპრეზენტატულ მასალებს, შესაბამისად, შეუძლებელია ეროვნული რეპერტუარისთვის დამახასიათებელი ნიშნების დადგენა. ამასთან, ტიპები აღწერილია ორი–სამი წინადადებით, რომელშიც ეროვნულთან ერთად გაუთვალისწინებელია რელევანტურობის განმსაზღვრელი ნიშნებიც.

2010-2012 წლებში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით განხორციელდა პროექტი "ქართული ხალხური პროზის კომპარატივისტული ანალიზის ელექრონული პლატფორმა", რომლის ფარგლებში შეიქმნა ქართული ხალხური კომპარატიული ანალიზის ელექტრონული პლატფორმა (იხ. წწწ.ფოლკტრეასურყ.გე/ ოლკლორე), რომელშიც დამუშავდა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივში დაცული გამოუქვეყნებელი ზღაპრები. აღნიშნული პლატფორმის ფარგლებში შექმნილი სიუჟეტური ტიპის რეზიუმირების ფლექსიური სქემა შესაძლებელს ხდის მოცემული ტიპის ინვარიანტის ცალკეული ნიმუშის მიხედვით შეკუმშვას ან განვრცობას, ითვალისწინებს, ეროვნული რეპერტუარის, როგორც ტიპოლოგიური ნიშნების დადგენას, ისე მისგან გადახვევის დაფიქსირებას.

როგორც მოსალონელი იყო, ქართულ ზღაპრულ რეპერტუარში საერთაშორისო კატალოგში გამოყოფილი ცხოველთა ყველა ბლოკის ტიპები ფიქსირდება, ესენია: გარეული ცხოველები (1-99); გარეული და შინაური ცხოველები (100-149); გარეული ცხოველები და ადამიანები (150-199); შინაური ცხოველები (100-219) და სხვა ცხოველები და საგნები (220-299).

საარქივო ტექსტების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ ქართულ ფოლკლორულ რეპერტუარში რაოდენობრივად უფრო მეტია გარეულ ცხოველთა ჯგუფის შიგნით განთავსებული ზღაპრები, რომლებიც ზემოთ დასახელებული ზღაპრის საერთაშირისო კატალოგში მოიცავს 1-99 ინდექსს. ეს ჯგუფი თავის მხრივ ორ ქვეჯგუფად იყოფა: ჭკვიანი

მელია (1-69) და სხვა გარეული ცხოველები (70-99).

ქართული ხალხური პროზის კომპარატიული ანალიზის ელექტრონულმა პლატფორმამ საშუალება მოგვცა ასევე დაგვედგინა, რომ ქართული ზღაპრული რეპერტუარისათვის ყველაზე რელევანტური ტიპია 15 („ნათლიის“ მიერ საჭმლის ქურდობა“).

საარქივო ტექსტებზე მუშაობის პროცესში განსაკუთრებულ ყურადღებას ტიპთა კომბინაციები იპყრობს. ანალიზმა ცხადყო, რომ ქართული ხალხური ცხოველთა ზღაპრები კომბინაციაშია მხოლოდ თავისივე ბლოკის სხვადასხვა ან ანეკდოტთა ჯგუფის ტიპებთან (მაგ., 2015 – “თხას არ უნდა წავიდეს სახლში”), თუმცა ერთადერთ შემთხვევაში ფიქსირდება ცხოველთა ზღაპრის ტიპების ჯადოსნური ზღაპრის ტიპებთან კომბინაცია: 248+9+219 **+513+516.

ამრიგად, ქართული ხალხური პროზის კომპარატიული ანალიზის ელექტრონულ პლატფორმაში დამუშავებული ცხოველთა ზღაპრების საარქივო ტექსტების ანალიზისას საინტერესო და მრავალფეროვან სურათს გვიჩვენებს. დადგინდა, რომ ქართულ ფოლკლორულ რეპერტუარში, ისევე როგორც საერთაშორისოში, უფრო გავრცელებულია ერთ ტიპიანი ზღაპრები, ვიდრე - კომბინირებული, რაც ცხოველთა ზღაპრების მარტივი კომპოზიციით აიხსნება. ასევე საინტერესო სურათს იძლევა ქართულ ფოლკლორულ რეპერტუარში დადგენილი ცხოველთა ზღაპრების ტიპთა კომბინაციები და რელევანტურობა. აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ ქართულ ხალხურ ცხოველთა ზღაპრებს ეროვნული რეპერტუარისთვის დამახასიათებელი თავისებურებიც მრავლად აქვთ შეძენილი, რისი დადგენის საშუალებასაც წორედ აღნიშნული ელექტრონული პროდუქტი იძლევა.

გოგილაანთ ქალქვა

კახეთის 1961 წლის ფოლკლორული ექსპედიციის ვრცელ ანგარიშში პროფ. მიხეილ ჩიქოვანი საინტერესო ცნობას იძლევა ყვარლის რაიონის სოფლების ენისლისა და საბუის მიდამოებში ჯერ კიდევ შემორჩენილი ამინდის მართვის რიტუალების შესახებ. მკვლევარი ასახელებს შემდეგი სამი სახის რიტუალს: ა) დიდება, ბ) ქალ-ქვების დატირება და გ) წყალში გუთნის გათრევა.

როგორც ზემოთხსენებულ ექსპედიციის ანგარიშში, ისე ხელნაწერ მასალებში - ე.წ. ქალ-ქვებთან დაკავშირებით არსებობს დამატებითი ცნობები, რომ მათ დატირებასაც, ადგილობრივთა რწმენით, სასურველი ამინდის გამოხმობა შეეძლო. გადმოცემის თანახმად, ერთხელ სოფელ საბუეს ლეკების მოთარეშე გუნდი დასხმია თავს, ერთ ქალს ჩვილი ხელში აუყვანია, მეორე შვილისთვის ხელი ჩაუკიდია და გაქცეულა. სოფლის ბოლომდე ურბენია და და როცა ძალაგამოცლილს უგრძვნია, რომ ლეკის მდევარს თავს ვერსაით დააღწევდა, ღმერთისთვის გაქვავება უთხოვია. ღმერთს შეუსმენია ქალის ვედრება და იგი, თავის ორ შვილთან და ადევნებულ ძაღლის ლეკვთან ერთად, ქვად უქცევია. „იმათი გაქვავების შემდეგ ღმერთს უტირნია და შვიდი დღე–ღამის განმავლობაში წვიმა დენილა“, - გვეუბნება გადმოცემა. ეს ქალი გვარად გოგილაშვილების ოჯახიდან ყოფილა, კახეთში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, გოგილაანთი.

ექსპედიის ანგარიშის მიხედვით, არქივში დაცული უნდა ყოფილიყო აღნიშნული რიტუალის დროს შესასრულებელი დიდებისა და ქალ-ქვების დატირების აუდიოჩანაწერები, სავარაუდო იყო ასევე ჩანაწერების არსებობა რიტუალის შესრულების წესთან დაკავშირებითაც. ყოველივე ამის ცოდნა, ცხადია, განსაკუთრებულად ამძაფრებდა შესაბამისი ფონოჩანაწერების გამოვლენისადმი ინტერესს.

ქართულ ფოლკლორისტიკაში დიგიტალური ჰუმანიტარიის მეთოდების დანერგვამ, რასაც შედეგად მოჰყვა საკუთარი მაღალტექნოლოგიური ელექტრონული რესურსების განვითარება, ფოლკლორის არქივში დაცული ფონოჩანაწერების დიგიტალიზაციასა და ელექტრონული პუბლიკაციის გზით მათი საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის საფუძველი შექმნა. 2013-2015 წლებში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით გახორციელდა პროექტი “ფოლკლორის არქივში დაცული ფონოჩანაწერების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დიგიტალიზაციისა და ელექტრონული სისტემატიზაციის გზით”, რამაც ელექტრომაგნიტურ ფირებზე ჩაწერილი და აქამდე

ხელმიუწვდელი მასალის ემპირიული კვლევების ჩატარების საშუალება მოგვცა, შესაბამისად, ტექსტების მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა (იხ. http://www.folktreasury.ge/ARPA/).

უნდა აღინიშნოს, ფონოარქივში გოგილაანთ ქალქვაზე არსებული აუთენტიკური ვერბალური ტექსტების ნიმუშების კვალდაკვალ აღმოჩნენილ იქნა მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშებიც. დღეისათვის ჩვენთვის ხელმისაწვდომია ამინდის მართვის რიტუალის დროს შესასრულებელი ოთხი არაჩვეულებრივი სიმღერა: „გოგილაანთ ქალო“ (I 34559), „დიდება“ (I 34567), „იავნანა“ (I 34568), „გონჯაობა“ (I 34569) და შემსრულებელთა კომენტარი მდინარის გუთნით მოხვნის რიტუალთან დაკავშირებით (I 34566).

კონფერენციაზე წარმოვაჩენთ აღნიშნული გადმოცემის როგორც გამოქვეყნებული ვარიანტებს, ასევე საარქივო ხელნაწერი და აუდიო ჩანაწერების ანალიზს.

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

გალაკტიონოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი

ცენტრის ხელმძღვანელი – **თეიმურაზ დოიაშვილი**

პერსონალური შემადგენლობა:

ლევან ბრეგაძე
როსტომ ჩხეიძე
ნათია სიხარულიძე
ნინო ხიდიშელი
ლილი მეტრეველი
სალომე ბობოხიძე

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	**კრებული „გალაკტიონოლოგია VIII“** (გალაკტიონ ტაბიძის 125 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებულის – გალაკტიონოლოგია VIII – გამოსაცემად მომზადება და გამოცემა (2015-2016 წწ.).	თემურ დოიაშვილი	როსტომ ჩხეიძე; ლევან ბრეგაძე;

კვლევითი პროექტის შესრულებული ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები

კვლევითი პროექტი ორწლიანია (2015-2016).

2015 წლის პირველ კვარტალში გალაკტიონის კვლევის ცენტრის მეცნიერ თანამშრომლებმა ლევან ბრეგაძემ და როსტომ ჩხეიძემ შეადგინეს სამეცნიერო ნაშრომების დასაწერად აუცილებელი ბიბლიოგრაფიები, **მეორე კვარტალი** დაეთმო ამ ნაშრომების დასაწერად საჭირო მასალების შეგროვებასა და გაცნობას, **მესამე კვარტალში** მკვლევართა მიერ შეიქმნა საიუბილეო კრებულში გამოსაქვეყნებელი ნაშრომები, **მეოთხე კვარტალში კი** მოხდა ამ ნაშრომების საბოლოო კორექტირება და რედაქტირება.

ამდენად, 2015 წელს, როგორც დაგეგმილი იყო, „გალაკტიონის კვლევის ცენტრის“ მეცნიერი თანამშრომლების **ლევან ბრეგაძისა და როსტომ ჩხეიძის** მიერ მომზადდა ნაშრომები (ლევან ბრეგაძე: „სატირულ იუმორისტული ნაკადი გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში“; როსტომ ჩხეიძე „გალაკტიონის თვითმკვლელობის პრობლემა (ბ. აკუნინის თვალსაზრისის დაზუსტებისათვის)“. ეს ნაშრომები დაიბეჭდება გალაკტიონის საიუბილეო კრებულში („გალაკტიონოლოგია“, VIII).

გალაკტიონის საიუბილეო კრებულში, რომელიც 2016 წლის ბოლოს მზად იქნება

გამოსაცემად, დაიბეჭდება გალაკტიონის კვლევის ცენტრის სხვა თანამშრომლების ნაშრომებიც, ამავე კრებულში შევა საქართველოსა და უცხოეთის სხვა სამეცნიერო ცენტრებში მომზადებული გამოკვლევები და წერილები. „გალაკტიონის კვლევის ცენტრში“ 2015 წელს ამ მხრივაც ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები. ცენტრის სხვა თანამშრომლებისათვის შეირჩა დასამუშავებელ ნაშრომთა თემატიკა, ასევე, დავუკავშირდით საქართველოში და უცხოეთში მყოფ სხვა მეცნიერებს, მათთან შეთანხმების შედეგად დაზუსტდა იმ ნაშრომთა სათაურები, რომლებიც 2016 წელს გამოსაცემი საიუბილეო კრებულისათვის დაიწერება.

I. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	**გალაკტიონ ტაბიძე ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში (1910-2010)“. ქრესტომათია ორ ტომად (ტექსტები, შენიშვნები, საძიებლები“) (2015-2017 წწ.)**	თემურ დოიაშვილი	ნათია სიხარულიძე; ნინო ხიდიშელი; სალომე ბობოხიძე; ლილი მეტრეველი.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები

სამწლიან პროექტზე მუშაობის პირველ ეტაპზე (2015 წელი) პროექტის შემსრულებლებმა – ნათია სიხარულიძემ, ნინო ხიდიშელმა, სალომე ბობოხიძემ და ლილი მეტრეველმა – **პირველსა და მეორე კვარტლებში** გადასინჯეს 10-20-იანი და 30-40-იანი წლების ქართული პერიოდიკა(ჟურნალები და გაზეთები), შეავსეს და დააზუსტეს გალაკტიონ ტაბიძის არსებული ბიბლიოგრაფია. ხოლო **მესამე და მეოთხე კვარტლებში** პროექტის შემსრულებლებმა შეისწავლეს მათ მიერ მოძიებული, შეგროვებული მასალები, შეარჩიეს ქრესტომათიაში შესატანი პუბლიკაციები და შექმნეს ამ ტექსტების ელექტრონული ვერსიები.

I

სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა აკადემიური თხუთმეტტომეული. პირველი ნაწილის (ტ. 1-5) გამოსაცემად მომზადება და გამოცემა	რუსთაველის ფონდი	თემურ დოიაშვილი	ნათია სიხარულიძე; ნინო ხიდიშელი; მამუკა შელეგია.

დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ

ენაზე)

პროექტი სამწლიანია (2014 წლის 2 აპრილი – 2017 წლის 2 აპრილი). 2015 წელს პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები გეგმის მიხედვით წარიმართა. კონკრეტულად, 2015 წლის მარტში, პროექტის ხელმძღვანელმა და ძირითადმა წევრებმა საზოგადოებას წარუდგინეს გალაკტიონ ტაბიძის აკადემიური თხუთმეტტომეულის **პირველი და მეორე ტომების ელექტრონული ვერსიები**.

პროექტის ძირითადი წევრების (ნათია სიხარულიძე, ნინო ხიდიშელი, მამუკა შელეგია) მიერ მომზადდა გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა აკადემიური თხუთმეტტომეულის მესამე და მეოთხე ტომების დაზუსტებული, შევსებული ბიბლიოგრაფიები.

პროექტის ძირითადმა წევრებმა (ნათია სიხარულიძე, ნინო ხიდიშელი) გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა აკადემიური თხუთმეტტომეულის მესამე და მეოთხე ტომების ტექსტები შეადარეს ერთი მხრივ, პირველწყაროს, მეორე მხრივ კი, სხვა ვარიანტებსა და რედაქციებს. დამხმარე პერსონალის (ოპერატორი, კორექტორი) მიერ შეიქმნა მესამე და მეოთხე ტომების ელექტრონული ვერსიები.

პროექტის ძირითადი წევრი – ნათია სიხარულიძე 2015 წლის 3-დან 9 სექტემბრის ჩათვლით იმყოფებოდა ქ. ბათუმში. იგი მუშაბდა აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში. მივლინების მიზანი – აჭარაში გამოქვეყნებული, გალაკტიონის შემოქმედებასთან დაკავშირებული მასალაების გამოვლენა, აღწერა და დადამუშავება – წარმატებით განხორციელდა.

პროექტის ფარგლებში მომზადდა **ორი სამეცნიერო მოხსენება:**

1. პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელმა თემურ დოიაშვილმა მოამზადა სამეცნიერო მოხსენება „გალაკტიონ ტაბიძის ერთი ამოუცნობი ლექსმა“.

2. პროექტის ძირითადმა წევრმა ნათია სიხარულიძემ მოამზადა სამეცნიერო მოხსენება „გალაკტიონ ტაბიძის ორი ლექსის გენეზისისათვის („ეს რაა ნიაღვრებს ვეზუვი ისვრის?“ და „ავდარი“)“.

ორივე მოხსენება წარმოვადგინეთ იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილ მესამე საერთაშორისო კონფერენციაზე (12 ივნისი, 2015 წელი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

პროექტის ფარგლებში გამოქვეყნდა **ორი სამეცნიერო სტატია:**

1. პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელმა თემურ დოიაშვილმა გამოაქვეყნა სამეცნიერო პუბლიკაცია „ლირიკული ტექსტი და ისტორიის კონტექსტი“. პუბლიკაცია დაიბეჭდა „გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში“, 2015 წლის 5-6-ე ნომერში (გვ. 3-17).

2. პროექტის ძირითადმა წევრმა ნათია სიხარულიძემ გამოაქვეყნა სამეცნიერო პუბლიკაცია – „წარსულისა და აწმყოს კოლიზია (გალაკტიონ ტაბიძის „მივაშუროთ“)“. პუბლიკაცია დაიბეჭდა „გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში“, 2015 წლის 5-6-ე ნომერში (გვ. 18-27).

პროექტის ძირითადი წევრები ამჟამად აგრძელებენ მუშაობას გალაკტიონ ტაბიძის თხუთმეტტომეულის მესამე და მეოთხე ტომების პასპორტებისა და კომენტარების

მომზადებაზე, ამ ტომების ელექტრონული ვერსიის შექმნაზე.

პუბლიკაციები:
ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№1	ავტორი	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	როსტომ ჩხეიძე	ყველაზე XIX საუკუნისეული (შალვა დადიანი)	თბილისი, „ჩვენი მწერლობა“.	220 გვ.
2	როსტომ ჩხეიძე	ჰამლეტური შურისგება (გივი მარგველაშვილი)	თბილისი, „ჩვენი მწერლობა“	240 გვ.
3	როსტომ ჩხეიძე	მოციქული (თედო სახოკია)	თბილისი, „ჩვენი მწერლობა“	732 გვ.
4	როსტომ ჩხეიძე	ბედი პავლე ინგოროყვასი	თბილისი, „ჩვენი მწერლობა“	600 გვ.
5	როსტომ ჩხეიძე	ჩემი წილი ვატერლოო (ნაპოლეონ ბონაპარტე) ეკლის გვირგვინი (ზვიად გამსახურდია)	თბილისი, „ჩვენი მწერლობა“	336 გვ.
6	როსტომ ჩხეიძე		თბილისი, „ჩვენი მწერლობა“	600 გვ.

ანოტაციები

1. მონოგრაფიაში შესწავლილია შალვა დადიანის მემატიანეობის სანდოობა და პირუთვნელობა, მოცემულია ეროვნული სულით გაჟღენთილი ამბების ეროვნული თვალთახედვით გააზრება, გამოკვეთილია შალვა დადიანის ხასიათის უმთავრესი შტრიხები.

2.მონოგრაფიულ თხზულებაში წარმოჩენილია გივი მარგველაშვილის მხატვრული სამყაროს თავისებურებანი და მისი ავტორის, დრამატული ბედის მქონე მწერლის, პიროვნული და ბიოგრაფიული შტრიხები – მსოფლიო-ისტორიული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების ფონზე.

3. „მოციქული წარმოადგენს თედო სახოკიას ცხოვრების ქრონიკას, მონოგრაფიულ თხზულებაში ბიოგრაფიულ ცნობებთან ერთად გამოყენებულია თანამედროვეთა მოგონებები და მემუარები, რის შედეგადაც მკითხველს ადეკვატური წარმოდგენა ექმნება თედო სახოკიას პიროვნებასა და ღვაწლზე.

4. მონოგრაფიაში შესწავლილი და შეფასებულია პავლე ინგოროყვას ცხოვრება და საზოგადოებრივ-მეცნიერული მოღვაწეობა. სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილია არაერთი უცნობი წყარო და სრულიად ახლებურად არის წარმოჩენილი სამეცნიერო ცხოვრებაც და ქართული ცივილიზაციაც.

5. მონოგრაფიაში ნაჩვენებია საფრანგეთის იმპერატორის ხასიათი და ახალი კუთხიდან არის წარმოჩენილი ნაპოლეონის მონუმენტური სახება.

6. მონოგრაფია ეძღვნება ზვიად გამსახურდიას. ბიოგრაფიულ რომანში ნაჩვენებია, რომ ზვიად გამსახურდია ერთი იმ პიროვნებათაგანია, რომელსაც თავისი თანამედროვეობა უსასტიკესად მოექცა, თუმცა მან მიზანი მაინც აღასრულა, ის, რისთვისაც სიყრმიდანვე აეყოლიებინა ქართლის ბედს.

სახელმძღვანელოები:

№1	ავტორი	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	როსტომ ჩხეიძე	„ქართული მწერლობა თვალის გადავლებით“	თბილისი, „ჩვენი მწერლობა“	216 გვ.

ანოტაცია

წიგნში გამოკვეთილია ჩვენი ლიტერატურის მდინარების შინაგანი კანონზომიერებანი, ის დაფარული ურთიერთკავშირები, რომელთა ამოცნობისა და გაცხადების გარეშეც ვერ მოვინიშნავთ ჩვენი მწერლობის ადგილს მსოფლიო ლიტერატურის ფონზე.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ-ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თემურ დოიაშვილი	გალაკტიონ ტაბიძის უადრესი ეპიკური ცდები. კრებულში: იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი მეორე საერთაშრისო კონფერენციის მასალები.		თბილისი, „ჯეოპრინტი“, 2015.	5 გვერდი
2	თემურ დოიაშვილი	წიგნი-მთლიანობა. ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“.	№13, 2015.	თბილისი, 2015 წელი.	6 გვერდი

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. შემორჩენილ ცნობებზე დაყრდნობით ნაშრომში მოცემულია გ. ტაბიძის უადრესი პოემების, დაუმთავრებელი და არმოღწეული ეპიკური ნაწარმოებების, აგრეთვე ჩანაფიქრთა ანალიზის, რეკონსტრუქციისა და ინტერპრეტაციის ცდა.

გალაკტიონის უადრეს პოემებში, „თერგდალეულთა“ ეროვნული ტრადიციის გვერდით, იმთავითვე იგრძნობოდა თხრობითი საწყისისა და კაუზალური კავშირების თანდათანობითი შესუსტება, სვლა რომანტიკული ახალი პოემის ლირო-ეპიკური ფორმისაკენ, რაც ე.წ. „ბაირონული პოემის“ ქართულ ნიმუშთა („შანშე“, „სატანა“...) შექმნით დასრულდა.

2. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ გალაკტიონ ტაბიძის პირველი წიგნი (1914 წელი) არ არის ლექსების ნაკრები, იგი პოეტური მთლიანობაა, რთული სტრუქტურის ტექსტი-მითი. აქედან გამომდინარე, მეცნიერულ და აკადემიურ გამოცემებში დაუშვებელია მისი ცალკეულ ლექსებად დაშლა და შერევა სხვა ტექსტებთან, როგორც ეს პოეტის თხზულებათა თორმეტტომეულში მოხდა.

გალაკტიონის პირველი წიგნი უნიკალური მოვლენა იყო თავისი დროის ქართულ პოეზიაში და იგი ახალგაზრდა გალაკტიონ ტაბიძეს, თუნდაც დაგვიანებით, განახლების გლობალური პროცესის თანამონაწილედ წარმოაჩენს.

	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლევან ბრეგაძე	ჩანაწერები ჩანაწერებზე. ჟ. „ცისკარი“	2015, № 1	თბილისი	4
2	ლევან ბრეგაძე	ექიმობის რომანტიკა. ჟ. „ცისკარი“	2015, № 2	თბილისი	7
3	ლევან ბრეგაძე	საკითხავ-სათვალიერებელი პაწია-დიდი წიგნი. ჟ. „ცისკარი“	2015, № 3	თბილისი	6
4	ლევან ბრეგაძე	ჟარგონში ლინგვისტური ეკონომიის კანონის ერთი გამოვლინების შესახებ. იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები.	2015	თბილისი	4
5	ლევან ბრეგაძე	ბერტა ფონ ზუტნერის პაციფისტური კვალი საქართველოში. ჟ. „აფრა“.	2015, № 21,	თბილისი	4
6	ლევან ბრეგაძე	ერთი მეტატექსტის ისტორიისათვის. ჟ. „ახალი საუნჯე“	№ 5 (23), 2015	თბილისი	2
7	ლევან ბრეგაძე	„სადღაც“ და „ვიღაც“ ტერენტი გრანელის შემოქმედებაში. კრებული „ლექსმცოდნეობა VII“.	2015	ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი	9
8	ლევან ბრეგაძე	სიტყვა ძველი, სიტყვა ახალი. ჟ. „ცისკარი“	2015	თბილისი	8

9	ლევან ბრეგაძე	ორჯერადი გარითმვა. ჟ. „ახალი საუნჯე“	2015	თბილისი	3
10	ლევან ბრეგაძე	„ჟამი ჟამობს...“. იაშა თანდილავა. ასი ლექსი.	2015	„ინტელექტი“. თბილისი	3
11	ლევან ბრეგაძე	ზღაპარი ზღაპრებზე, თანაც – წინასწარმეტყველური! ჟ. „ცისკარი“.	2015	თბილისი	9

ანოტაციები

1. რეცენზია მუხრან მაჭავარიანის წიგნზე „ჩვეულებრიობით არაჩვეულებრივი“ (თბილისი: „ინტელექტი“, 2015).

2. რეცენზია ელგუჯა თავბერიძის ბიოგრაფიულ რომანზე „ვით უდაბნოში გზადაბნეულებს (სამსონ თოფურიას ცხოვრების ქრონიკა)“ (ქუთაისის საგამომცემლო ცენტრმა „ხომლი ენ“, 2006).

3. რეცენზია ოლესია თავაძის წიგნზე „კაკლის ქარები“ (თბილისი: „ინტელექტი“, 2013).

4. ქართულ ახალგაზრდულ ჟარგონში მრავლად გვხვდება ისეთი სიტყვები, რომლებიც სალიტერატურო ენაში გავრცელებული ფრაზეოლოგიზმებისა თუ იდიომების „ფრაგმენტებს“ წარმოადგენენ. ნაშრომში გაანალიზებულია ეს მოვლენა, რომელიც ლინგვისტური ეკონომიის საყოველთაო კანონის კერძო გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ.

5. ნაშრომში განხილულია ნობელის მშვიდობის პრემიის პირველი ლაურეატი ქალის, საქართველოში (ზუგდიდში, თბილისში) თითქმის ცხრა წლის განმავლობაში ნაცხოვრები ავსტრიელი მწერლის ბერტა ფონ ზუტნერის (1843-1914) პუბლიკაციები, რომლებიც მწერლის სიცოცხლეში გამოქვეყნდა საქართველოს პრესაში.

6. ურითმო სალექსო დისკურსის არჩევის მოტივაციის საკითხისათვის ტიციან ტაბიძის, იოსებ გრიშაშვილის, კონსტანტინე ჭიჭინაძის შემოქმედებაში.

7. ნაშრომში გაანალიზებულია განუსაზღვრელობითი მეტყველების ნაწილთა დანიშნულება (იდუმალების გაძლიერება, მოვლენათა კაუზალური მიმართების ნაცვლად მოვლენათა სინქრონულობაზე ყურადღების გადატანა) ტერენტი გრანელის პოეზიაში.

8. სიტყვა „მაგარის“ სემანტიკის ანალიზი – უძველესი ქართული ტექსტებიდან თანამედროვე ჟარგონამდე.

9. ქართული პოეზიის ნიმუშებში ტრადიციული და ნოვატორული რითმების ერთი უჩვეულო კომბინაციის ანალიზი. (განხილულია შემთხვევები, როდესაც პირველი სტრიქონი ჯერ მეორეს ერითმება დისონანსური რითმით, ხოლო შემდეგ – მესამეს ზუსტი რითმით, რაც სტროფს განსაკუთრებულ ჟღერადობას ანიჭებს).

10. წინასიტყვაობა იაშა თანდილავას წიგნისათვის „ასი ლექსი“ (გამომცემლობა „ინტელექტი“).

11. ნაირა გელაშვილის ზღაპრის „დიდედა“ ანალიზი.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნათია სიხარულიძე	გალაკტიონის ადრეული ლირიკიდან („ელეგია“ და „მახსოვს“). კრებულში: იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები		თბილისი, 2015	6 გვერდი
2	ნათია სიხარულიძე	გალაკტიონ ტაბიძის ორი ლექსის გენეზისისათვის. „გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი“.	№7-8	თბილისი, 2015	12 გვერდი
3	ნათია სიხარულიძე	გალაკტიონი და ტერენტი გრანელი (ზოგიერთი რამ პოეტურ სიდიდეთა გამო). კრებული „ლექსმცოდნეობა VII“.		თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2015	5 გვერდი
4	ნათია სიხარულიძე	ჰავაელი ემმას კვალდაკვალ (გალაკტიონის „პირველი ვარდი“). „გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი“.	№11-12	თბილისი, 2015	8 გვერდი

ანოტაციები

1. ნაშრომში გაანალიზებულია გ. ტაბიძის ის ორი ნაწარმოები, რომლებსაც მკვლევანი ნ. ბარათაშვილთან გალაკტიონის მიმართებაზე მსჯელობისას ყველაზე ხშირად იმოწმებენ, როგორც გავლენის ნიმუშებს.

გ. ტაბიძისა და ნ. ბარათაშვილის ლექსების შედარებითი ანალიზისას ირკვევა, რომ გალაკტიონის მიმართება დიდ წინამორბედთან სცილდება პირდაპირი გავლენის საზღვრებს და, გენეტიკური კავშირის მიუხედავად, საქმე გვაქვს მასალის კონცეპტუალურად ახლებურ გააზრებასთან განსხვავებული პოეტური ცნობიერების მიერ.

2. წერილში გაანალიზებულია გალაკტიონ ტაბიძის ორი ნაწარმოები („ეს რა ნიაღვრებს ვეზუვი ისვრის?“ და „ავდარი“), რომლებიც, როგორც ავტოგრაფების შესწავლა ცხადყოფს, სხვა ავტორთა ტექსტებიდან მიღებული შემოქმედებითი იმპულსის შედეგად არის შექმნილი.

ერთ შემთხვევაში გალაკტიონის ლექსს – „ეს რა ნიაღვრებს ვეზუვი ისვრის?“ პირველწყაროსთან – დერჟავინის ოდასთან „იზმაილის აღების გამო“ საერთო არც ფორმა აქვს და არც თემატიკა, მასთან მხოლოდ სამი მსგავსი სტრიქონი აკავშირებს. განსხავებული ვითარებაა „ავდარის“ შემთხვევაში. პირველწყაროს – შილერის „ვილჰელმ ტელის“ გათვალისწინება აქ ლექსის მეორე პლანის აღქმასა და გააზრებაში გვეხმარება.

3. წერილში ნაჩვენებია, რომ ტერენტი გრანელს თავისი ადგილი აქვს მეოცე საუკუნის ქართული ლირიკის ისტორიაში და კეთილმოსურნეთა მიერ მის გენიოსობაზე საუბარი მხოლოდ ღიმილისმომგვრელია, მით უფრო არასერიოზულია მისი ამ კონტექსტში გალაკტიონის გვერდით მოხსენიება.

4.გალაკტიონის 1915 წლით დათარიღებული ლექსში „პირველი ვარდი“ ნახსენებია ჰავაელი პატარა ქალი, სახელად ემმა. ემმა, გარდა „პირველი ვარდისა“, გალაკტიონის ორი სხვა ნაწარმოების პერსონაჟიც არის, მაგრამ ქალის ვინაობის შესახებ ინფორმაცია არცერთის კომენტარში არ მოიპოვება.

ძიების შედეგად ირკვევა, რომ გალაკტიონის „პირველი ვარდის“ ინტერტექსტია მოთხრობა „ემმა – ჰავაელი პატარა ქალი“, რომლის ავტორია არა ცნობილი ამერიკელი მწერალი ქალი ელიზა ფრენსის ბერნეტი, როგორც ეს დღემდე იყო მიჩნეული, არამედ – თავისი დროისათვის ძალიან პოპულარული ფრანგი მწერალი კაცი ელი ბერტე.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნინო ხიდიშელი	კომპოზიციური ქარგა როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანისა „კომიკოსი ტრაგედიაში“. ჟ. „ჩვენი მწერლობა“.	2015, №5,	თბილისი	3 გვ.
2	ნინო ხიდიშელი	ლირიკის შესახებ (ალექსანდრე აბაშელის „ლირიკოსი და მებაღე“). „გელათის მეცნიერებათა			8 გვერდი

		აკადემიის ჟურნალი“.	2015, №9-10.	თბილისი	

ანოტაციები

1. როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანს „კომიკოსი ტრაგედიაში“ საინტერესო კომპოზიციური ქარგა აქვს. მისი თითოეული თავი დამოუკიდებელი, დასრულებული მთლიანობაა, რომლებიც ამავე დროს მტკიცედ უკავშირდებიან ერთმანეთს და ავტორისეულ კონცეფციას. ვფიქრობთ, ბიოგრაფიული რომანის ორიგინალურად მოფიქრებული, თავისებური კომპოზიციაც განაპირობებს იმას, რომ რომანში წარმოდგენილი, მკითხველისა და პროფესიონალი ლიტერატორებისთვის ნაცნობი ფაქტებიც კი ინტერესით იკითხება.

2. წერილში გაანალიზებულია ალექსანდრე აბაშელის ლექსი „ლირიკოსი და მებაღე“ და იოსებ გრიშაშვილის – „საუბარი ასოთამწყობთან ჩემი წიგნის დაბეჭდის დროს“. ნაწარმოებებზე დაკვირვების მეშვეობით წარმოვაჩინეთ, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდათ ალექსანდრე აბაშელსა და იოსებ გრიშაშვილს ლირიკული პოეზიის მიმართ XX საუკუნის 30-იანი წლებში.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლილი მეტრეველი	ალექსანდრე აბაშელის „ორი ცა“. „გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი“.	№11-12	თბილისი, 2015.	9 გვერდი
2	ლილი მეტრეველი	პარადოქსული გამოთქმები ტიციან ტაბიძის შემოქმედებაში. ჟ. „კრიტიკა“.	№10	თბილისი, 2015	5 გვერდი

ანოტაციები

1. სტატიაში გაანალიზებულია ალექსანდრე აბაშელის ლირიკული ნაწარმოები „ორი ცა“; ლექსის ძირითადი სტრუქტურული თუ შინაარსობრივი ასპექტების გათვალისწინებით ახსნილია ლექსის სათაურის აზრობრივი მნიშვნელობა; ამავე დროს გამოკვეთილია ლექსში წარმოდგენილი უმთავრესი პრობლემა: ლირიკული გმირის მიერ მიწიერი სამყაროს, ვითარცა სიკვდილის სამეფოს, მიუღებლობა. გავლებულია პარალელი ალექსანდრე აბაშელის ლექსში წარმოდგენილ ფილოსოფიურ ხედვასა და პლატონის „სახელმწიფოში“ მოცემულ ფილოსოფიურ კონცეფციას შორის (გამოქვაბულის ალეგორია).

2. ტიციან ტაბიძის შემოქმედებიდან მოხმობილი მაგალითების მიხედვით წერილში გაანალიზებულია ოქსიმორონის (რიტორიკული ფიგურის) შემადგენელ კომპონენტთა ურთიერთმიმართების საკითხი და ახსნილია, როგორ ხერხდება შესიტყვებაში საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვების „შერიგება“, რაც ოქსიმორონის პარადოქსულობის განმაპირობებელ ფაქტორადაა მიჩნეული.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	სალომე ბობოხიძე	ჰეტეროსილაბიზმი და ნაირსაზომიანობა ალექსანდრე აბაშელის პოეზიაში. „გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი“.	№11-12	თბილისი, 2015	9 გვერდი
2	სალომე ბობოხიძე	ვის ეძღვნება ტიციან ტაბიძის ლექსი „გაჭიანურებული მადრიგალი“? ჟ. „კრიტიკა“.	№10	თბილისი, 2015	5 გვერდი

ანოტაციები

1. წერილში ნაჩვენებია, რომ ალექსანდრე აბაშელის მრავალ ლექსში სტრიქონთა არათანაბარმარცვლიანობას (ჰეტეროსილაბიზმსა და პოლისილაბიზმს) აზრობრივი მომენტი განაპირობებს; იგი გარკვეულ მიზანს ემსახურება: ზოგჯერ კონტრასტული დაპირისპირების გამოკვეთას უწყობს ხელს, ზოგჯერ გრძნობათა ადეკვატურ გადმოცემას, ზოგჯერაც ირეალური განწყობილების გამოხატვას, ანუ საქმე გვაქვს სალექსო ფორმის სემანტიზაციასთან.

2. წერილში გაანალიზებულია ტიციან ტაბიძის ლექსი „გაჭიანურებული მადრიგალი“ და დაკვირვებების შემდეგ გამოთქმულია ვარაუდი, რომ ეს ლექსი ეძღვნება თამარ ციციშვილს.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	თემურ დოიაშვილი	აკაკის „გამზრდელი“ და განმანათლებლობის პარადიგმა	2015, 22-23 სექტემბერი. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. VIII საერთაშორისო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“. ნაციონალური ლიტერატურები და კულტურული გლობალიზაციის პროცესი
2	თემურ დოიაშვილი	პოეზიის ინტერვალები	2015, 10-14 ნოემბერი, თბილისი. საერთაშორისო კონგრესი „ქართველოლოგიის პრობლემები და პერსპექტივები“, I. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს საპატრიარქო

მოხსენებათა ანოტაციები

1. აკაკი წერეთლის „გამზრდელი“ მეცხრამეტე საუკუნის ქართული რეალიზმის ერთ-ერთ შემაჯამებელ ქმნილებად არის მიჩნეული. მიუხედავად ასეთი შეფასებისა და არსებული დიდაქტიკური თუ რელიგიური ინტერპრეტაციებისა, მიგვაჩნია, რომ დღემდე მიუგნებელია ის კულტურულ-სააზროვნო კონტექსტი, რომელშიც უნდა გაანალიზდეს ეროვნული პოეზიის ეს შედევრი.

ჩვენს ნაშრომში მოძებნილია ხედვის ისეთი წერტილი, საიდანაც თხზულების ე.წ. უცნაურობანი შემოთავაზებული მხატვრული ლოგიკის ჩარჩოში ბუნებრივად განიმარტება.

2. გალაკტიონ ტაბიძის 20-იანი წლების საპროგრამო ლექსში „ეფემერა“ (1922) გამოყენებულია ლექსემა „ინტერვალი“, რომელიც ზოგადად, პოეზიის არსის პოეტისეულ გაგებას უკავშირდება. „ინტერვალი“, – ეტყობა, სიტყვათა ფონეტიკური მსგავსების გამო, – რატომღაც „ინტეგრალთან“ გააიგივეს, ისე, რომ არავის უცდია მისი კონკრეტული შინაარსის დადგენა.

მოხსენებაში ნაჩვენებია, რომ „ინტერვალი“ არ არის „ინტეგრალის“ სინონიმი – იგი მომდინარეობს დიდი ინგლისელი რომანტიკოსის პერსი ბიში შელის ფილოსოფიურ-

კრიტიკული ნააზრევიდან და გალაკტიონთან ესთეტიკური შინაარსის მქონე კონცეპტუალური ცნებაა.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ლევან ბრეგაძე	ერთი მეტატექსტის ისტორიისათვის	2015, 27 მაისი. თბილისი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი: ტიციან ტაბიძისა და გერონტი ქიქოძის საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია
2	ლევან ბრეგაძე	უჩვეულო სალექსო ფორმები ალექსანდრე აბაშელის შემოქმედებაში	2015, 10-11 ივნისი. თბილისი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი: ალექსანდრე აბაშელისადმი მიძღვნილი ლექსმცოდნეობის IX სამეცნიერო სესია
3	ლევან ბრეგაძე	„მაგარის“ სემანტიკისათვის	2015, 12 ივნისი. გორი, სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია
4	ლევან ბრეგაძე	ორჯერადი გარითმვა	2015, 22-23 სექტემბერი. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. VIII საერთაშორისო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“. ნაციონალური ლიტერატურები და კულტურული გლობალიზაციის პროცესი
5	ლევან ბრეგაძე	ქართული ნონფიქშენი	2015, 10-14 ნოემბერი, თბილისი. საერთაშორისო კონგრესი „ქართველოლოგიის პრობლემები და პერსპექტივები“, I. საქართველოს მეცნიერებათა

			ეროვნული აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს საპატრიარქო

მოხსენებათა ანოტაციები

1. მოხსენებაში განხილულია ურითმო სალექსო დისკურსის არჩევის მოტივაციის საკითხი ტიციან ტაბიძის, იოსებ გრიშაშვილის, კონსტანტინე ჭიჭინაძის შემოქმედებაში.

2. მოხსენებაში განხილულია ალექსანდრე აბაშელის ნოვატორული ძიებები სალექსო ფორმის სფეროში.

3. სიტყვა „მაგარის“ სემანტიკის ანალიზი – უძველესი ქართული ტექსტებიდან თანამედროვე ჟარგონამდე.

1	მაია ნაჭყებია	მე-9 საერთაშორისო სიმპოზიუმი. ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა.	თბილისი	8 გვერდი

ანოტაციები ქართულ ენაზე

ბაროკოს ლიტერატურა: ინდივიდუალური ტალანტი ახალი ეპოქის ზღურბლზე.
(პარალელები: საქართველო და საფრანგეთი)

მე-16-მე18 საუკუნეების ქართული კლასიკური ლიტერატურა იმ ისტორიულ-კულტურული პროცესის შემადგენელი ნაწილია, რომელსაც თანამედროვე ლიტერატურისმცოდნეობაში ბაროკოს ეპოქა ეწოდება. ზოგად, ამ ეპოქისთვის დამახასიათებელ დომინანტურ მოვლენებთან ერთად მასში წარმოდგენილია ნაციონალური ელემენტი, რომელსაც განაპირობებს ბაროკოს ეპოქის სპეციფიკა ყოველ ცალკეულ ქვეყანასა და ხალხში.
საყოველთაოდ მიღებული აზრია, რომ მე-17 საუკუნეს როგორც ევროპულ, ისე ქართული ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით საეტაპო მნიშვნელობა აქვს. რაც შეეხება ამ პერიოდის ქართულ ლიტერატურას, იგი ადრინდელ ლიტერატურულ შეხედულებათა პრინციპული შეჯამება და გადაფასებაა, ხოლო ამ დიდ კულტურულ-ლიტერატურულ მოვლენაში უპირველესი დამსახურება მიუძღვის არჩილს (1647-1713), ავტორს თხზულებისა „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა". გარკვეულწილად, ამ თემის პარალელად გვესახება „ძველებისა" და „ახლების" კამათი საფრანგეთში. აღსანიშნავია, რომ ტერმინთა – „კლასიკური" და „კლასიკოსი" – განსაზღვრა ლიტერატურათმცოდნეობაში სწორედ საფრანგეთში „ძველებისა" და „ახლების" კამათს უკავშირდება და მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შედეგად უნდა ჩაითვალოს.
იგივე ვითარებაა საქართველოშიც, არჩილი თავის „გაბაასებაში" ახდენს საუკუნეების მანძილზე საქართველოში რუსთაველის შემოქმედების მიმართ დაგროვილი შეხედულებების შეჯამებას, რითაც იმავდროულად ახდენს ცნება „კლასიკოსის" და „კლასიკური ნაწარმოების" ფორმულირებას. იგი ასეთ განსაზღვრებას გვაძლევს: კლასიკურია თხზულება, რომელსაც საუკუნეების მანძილზე ყველა იცნობს, ჭირსა და ლხინში მიმართავს მას და სიამოვნებით კითხულობს: („*საქართველო სავსე არის, ჩემი წიგნი ყველგან გაჰქუხს" (77); „ხელოსანი იმას ჰქვიან, უნახავად შექმნას რამე // ჩემი თქმული სახედ გქონდა, მით რომ იტკბე, მით რომ ამე"; (85)).* ე.ი. იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში უმაღლეს ესთეტიკურ ნიმუშად რჩება და შედეგად მთელი პოეზია მის მიერ შექმნილ საძირკველს ემყარება.
უაღრესად მნიშვნელოვანია ის პარალელები, რომლებიც გამოვლინდა არჩილისა და ფრანგული ბაროკოს პოეტის თეოფილ დე ვიოს მოსაზრებებში მიმბაძველებისა და ეპიგონების შესახებ: ფრანგებისათვის მისაბაძი ნიმუში თავისი ესთეტიკისა და პოეტური ტექნიკის თვალსაზრისით ანტიკური ავტორი, ჰომეროსი არის, საქართველოში კი რუსთაველია.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მაია ნაჭყებია	*ლიტერატურული ბაროკოს გეოგრაფია და ეროვნული თავისებურებანი*	ჟურნალი სჯანი. ჟურნალი ლიტერატურეს თეორიასა და შედარებით ლიტერატურათმცოდნეობაში № 16	თბილისი. 2015 წელი	12

ანოტაციები ქართულ ენაზე

ლიტერატურული ბაროკოს გეოგრაფია და ეროვნული თავისებურებანი

წინამდებარე სტატია ეძღვნება ქრიატიანულ კულტურათთვის დამახასიათებელი ისეთი ზოგადლიტერატურული ფენომენის ტიპოლოგიურ ანალიზს, როგორიც ლიტერატურული ბაროკოა.

მე-17 საუკუნე მთელს ქრისტიანულ სამყაროში რელიგიური საკითხების წინ წამოწევით ხასიათდება, რაც სხვადასხვაგვარად გამოიხატა: ერთგან (დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში) ეს იყო მძვინვარე რელიგიური დაპირისპირებები და ომები სხვადასხვა ქრისტიანულ კომფესიებს შორის, სხვაგან (საქართველოში) კი მართლმადიდებელი ქრისტიანების შეუპოვარი ბრძოლა მუსულმანი დამპყრობლების წინააღმდეგ. ბაროკოს ეპოქისთვის დამახასიათებელი ღრმა კრიზისის, ქაოსისა და საერთო ბნელი ატმოსფეროს გამო ხალხს ეუფლებოდა უიმედობისა და განწირულობის გრძნობა, უჩნდებოდა ეჭვი და უნდობლობა ამქვეყნიური ცხოვრებისადმი და ამიტომ, ერთადერთ ცხოვრებისეულ ჭეშმარიტებას ისევ მისტიკურ, ტრანსცენდენტულ, არაამქვეყნიურ სამყაროში ეძებდა.

რენესანსული ჰუმანიზმისაგან საგრძნობლად განსხვავებულმა მსოფლაღქმამ წარმოშვა სინამდვილის ახალი მხატვრული ხედვა, რაც თავისებური მეთოდებით აისახა.
იმ ისტორიულ-ტიპოლოგიურმა კვლევებმა, რომლებსაც წლების მანძილზე ვაწარმოებთ ქართული და ევროპული ბაროკოს შედარებითი შესწავლის ასპექტში (ნაჭყებია 2009), მოგვცა იმის საფუძველი, რომ გამოგვეთქვა შემდეგი მოსაზრება: ქართული ლიტერატურის ე.წ. „აღორძინების ხანად" წოდებული მე-16-მე-18 საუკუნებიის ქართული ლიტერატურა თავისი თემატიკით, პრობლემატიკით, რელიგიური თემების დამუშავებისადმი მიდრეკილებით სრულიად ეხმიანება ევროპული ბაროკოს ლიტერატურას, რომელიც ევროპასთან ლიტერატურული კონტაქტების ქონის გამო კი არ ჩამოყალიბდა, როგორც ეს ბევრ ევროპულ ქვეყანაში მოხდა, არამედ თვითჩასახვის გზით, ლიტერატურის განვითარების ლოგიკის შედეგად, ვინაიდან ქართულმა ქრისტიანულმა ლიტერატურამ თავად იპოვა გამოსავალი და მიაკვლია იმ გზას, რომლითაც უნდა განვითარებულიყო. ამიტომ მიიღო ქართულმა ლიტერატურამ ასე ორგანულად რომანტიზმი, რეალიზმი, სიმბოლიზმი თუ მოდერნიზმი. ევროპული ლიტერატურების საფუძველიც ხომ ასევე ქრისტაინული კულტურაა. ქართული ავთენტური ბაროკო (ირ. კენჭოშვილის ტერმინი; კენჭოშვილი: 1973) განსაკუთრებით საინტერესოა სწორედ მისი ორიგინალურობის გამო (ნაჭყებია 2014). მაშასადამე, ლიტერატურული ბაროკო ზოგადქრისტიანული ფენომენია და ყოველმა ქრისტიანულმა კულტურამ მსგავს ისტორიულ პირობებში მსგავი განცდების გამოსახატად მსგავსი მხატვრული ხერხები გამოიყენა, თუმც თვალსაჩინოა განსხვავებებიც და ლიტერატურული გემოვნების მიკერძოებანიც, მაგრამ ყველა ერის ლიტერატურული ბაროკოს ზოგადი ამოსაცნობი ნიშნები საერთოა: ესენია რელიგიური განცდების

სიმწვავე და რელიგიური აღტკინება, ანტითეზური აზროვნება, ემბლემატურობა, სამყაროს ცვალებადობის განცდა, სიკვდილზე დაფიქრება და სხვა. მაშასადამე, მე-16-მე-18 საუკუნეების ქართული კლასიკური ლიტერატურა სწორედ იმ ისტორიულ-კულტურული პროცესის შემადგენელი ნაწილია, რომელიც თანამედროვე ლიტერატურისმცოდნეობაში ბაროკოს ეპოქად ეწოდება. ზოგად, ამ ეპოქისთვის დამახასიათებელ დომინანტურ მოვლენებთან ერთად მასში წარმოდგენილია ნაციონალური ელემენტი, რომელიც განაპირობებს ბაროკოს ეპოქის სპეციფიკას ყოველ ცალკეულ ქვეყანასა და ხალხში.
ავტორს განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიაჩნია ლიტერატურული ბაროკოს გავრცელების გეოგრაფიისა და ეროვნულ თავისებურებათა დადგენა და ევროპული ბაროკოს კონტქსტში ქართული ავთენტური ბაროკოს განხილვა, ლიტერატურული ბაროკოს ზოგადი ნიშნებისა და ეროვნული თავისებურებების გამოვლენა. სტატიაში მოკლედ არის განხილული ფრანგული, ესპანური, იტალიური, გერმანული, ინგლისური, ჰოლანდიური, ჩეხური, სლოვაკური, პოლონური, უკრაინული, ბელარუსული, უნგრული და ქართული ლიტერატურის ნაციონალური ლიტერატურული ბაროკოს ზოგიერთი თავისებურებანი.

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მაია ნაჭყებია	მე-9 საერთაშორისო სიმპოზიუმი. ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა.	თბილისი	8 გვერდი

ანოტაციები ქართულ ენაზე

ბაროკოს ლიტერატურა: ინდივიდუალური ტალანტი ახალი ეპოქის ზღურბლზე.
(პარალელები: საქართველო და საფრანგეთი)

მე-16-მე18 საუკუნეების ქართული კლასიკური ლიტერატურა იმ ისტორიულ-კულტურული პროცესის შემადგენელი ნაწილია, რომელსაც თანამედროვე ლიტერატურისმცოდნეობაში ბაროკოს ეპოქა ეწოდება. ზოგად, ამ ეპოქისთვის დამახასიათებელ დომინანტურ მოვლენებთან ერთად მასში წარმოდგენილია ნაციონალური ელემენტი, რომელსაც განაპირობებს ბაროკოს ეპოქის სპეციფიკა ყოველ ცალკეულ ქვეყანასა და ხალხში.
საყოველთაოდ მიღებული აზრია, რომ მე-17 საუკუნეს როგორც ევროპულ, ისე ქართული ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით საეტაპო მნიშვნელობა აქვს. რაც შეეხება ამ პერიოდის ქართულ ლიტერატურას, იგი ადრინდელ ლიტერატურულ შეხედულებათა პრინციპული შეჯამება და გადაფასებაა, ხოლო ამ დიდ კულტურულ-ლიტერატურულ მოვლენაში უპირველესი დამსახურება მიუძღვის არჩილს (1647-1713), ავტორს თხზულებისა „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა". გარკვეულწილად, ამ თემის პარალელად გვესახება „ძველებისა" და „ახლების" კამათი საფრანგეთში. აღსანიშნავია, რომ ტერმინთა – „კლასიკური" და „კლასიკოსი" – განსაზღვრა ლიტერატურათმცოდნეობაში სწორედ საფრანგეთში „ძველებისა" და „ახლების" კამათს უკავშირდება და მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შედეგად უნდა ჩაითვალოს.
იგივე ვითარებაა საქართველოშიც, არჩილი თავის „გაბაასებაში" ახდენს საუკუნეების მანძილზე საქართველოში რუსთაველის შემოქმედების მიმართ დაგროვილი შეხედულებების შეჯამებას, რითაც იმავდროულად ახდენს ცნება „კლასიკოსის" და „კლასიკური ნაწარმოების" ფორმულირებას. იგი ასეთ განსაზღვრებას გვაძლევს: კლასიკურია თხზულება, რომელსაც საუკუნეების მანძილზე ყველა იცნობს, ჭირსა და ლხინში

მიმართავს მას და სიამოვნებით კითხულობს: (*„საქართველო სავსე არის, ჩემი წიგნი ყველგან გაჰქუხს” (77); „ხელოსანი იმას ჰქვიან, უნახავად შექმნას რამე // ჩემი თქმული სახედ გქონდა, მით რომ იტკბე, მით რომ ამე”; (85)).* ე.ი. იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში უმაღლეს ესთეტიკურ ნიმუშად რჩება და შედეგად მთელი პოეზია მის მიერ შექმნილ საძირკველს ემყარება.

უაღრესად მნიშვნელოვანია ის პარალელები, რომლებიც გამოვლინდა არჩილისა და ფრანგული ბაროკოს პოეტის თეოფილ დე ვიოს მოსაზრებებში მიმბაძველებისა და ეპიგონების შესახებ: ფრანგებისათვის მისაბაძი ნიმუში თავისი ესთეტიკისა და პოეტური ტექნიკის თვალსაზრისით ანტიკური ავტორი, ჰომეროსი არის, საქართველოში კი რუსთაველია.

სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მაია ნაჭყებია	ბაროკოს ლიტერატურა: ინდივიდუალური ტალანტი ახალი ეპოქის ზღურბლზე. (პარალელები: საქართველო და საფრანგეთი).	მე-9 საერთაშორისო სიმპოზიუმი. ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა. 23-25 სექტემბერი, თბილისი, 2015
2	მაია ნაჭყებია	ევროპელი მოდერნისტების შემოქმედების გაშუქება ქართულ კრიტიკაში	თბილისი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2015 წლის 27 მარტი

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

მე-16-მე18 საუკუნეების ქართული კლასიკური ლიტერატურა იმ ისტორიულ-კულტურული პროცესის შემადგენელი ნაწილია, რომელსაც თანამედროვე ლიტერატურისმცოდნეობაში ბაროკოს ეპოქა ეწოდება. ზოგად, ამ ეპოქისთვის დამახასიათებელ დომინანტურ მოვლენებთან ერთად მასში წარმოდგენილია ნაციონალური ელემენტი, რომელსაც განაპირობებს ბაროკოს ეპოქის სპეციფიკა ყოველ ცალკეულ ქვეყანასა და ხალხში.

საყოველთაოდ მიღებული აზრია, რომ მე-17 საუკუნეს როგორც ევროპულ, ისე ქართული ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით საეტაპო მნიშვნელობა აქვს. რაც შეეხება ამ პერიოდის ქართულ ლიტერატურას, იგი ადრინდელ ლიტერატურულ შეხედულებათა პრინციპული შეჯამება და გადაფასებაა, ხოლო ამ დიდ კულტურულ-ლიტერატურულ მოვლენაში უპირველესი დამსახურება მიუძღვის არჩილს (1647-1713), ავტორს თხზულებისა „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა”. გარკვეულწილად, ამ თემის პარალელად გვესახება „ძველებისა” და „ახლების” კამათი საფრანგეთში. აღსანიშნავია, რომ ტერმინთა – „კლასიკური” და „კლასიკოსი” – განსაზღვრა ლიტერატურათმცოდნეობაში სწორედ საფრანგეთში „ძველებისა” და „ახლების” კამათს უკავშირდება და მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შედეგად უნდა ჩაითვალოს.

იგივე ვითარებაა საქართველოშიც, არჩილი თავის „გაბაასებაში” ახდენს საუკუნეების მანძილზე საქართველოში რუსთაველის შემოქმედების მიმართ დაგროვილი შეხედულებების შეჯამებას, რითაც იმავდროულად ახდენს ცნება „კლასიკოსის” და „კლასიკური ნაწარმოების” ფორმულირებას. იგი ასეთ განსაზღვრებას გვაძლევს: კლასიკურია თხზულება, რომელსაც საუკუნეების მანძილზე ყველა იცნობს, ჭირსა და ლხინში მიმართავს მას და

სიამოვნებით კითხულობს: („*საქართველო სავსე არის, ჩემი წიგნი ყველგან გაჰქუხს” (77); „ხელოსანი იმას ჰქვიან, უნახავად შექმნას რამე // ჩემი თქმული სახედ გქონდა, მით რომ იტკბე, მით რომ ამე”; (85)).* ე.ი. იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში უმაღლეს ესთეტიკურ ნიმუშად რჩება და შედეგად მთელი პოეზია მის მიერ შექმნილ საძირკველს ემყარება.
უაღრესად მნიშვნელოვანია ის პარალელები, რომლებიც გამოვლინდა არჩილისა და ფრანგული ბაროკოს პოეტის თეოფილ დე ვიოს მოსაზრებებში მიმბაძველებისა და ეპიგონების შესახებ: ფრანგებისათვის მისაბაძი ნიმუში თავისი ესთეტიკისა და პოეტური ტექნიკის თვალსაზრისით ანტიკური ავტორი, ჰომეროსი არის, საქართველოში კი რუსთაველია.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	ქართული მოდერნიზმი	გაგა ლომიძე	მაია ნაჭყებია	შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდი

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

ევროპელი მოდერნისტების შემოქმედების გაშუქება
ქართულ კრიტიკაში 1910-1930-იანი წლები

1910-1930-იან წლებში ქართველი მოდერნისტების ტექსტები ისევე როგორც ცნობები ევროპელი მოდერნისტების და მათი შემოქმედების შესახებ და მათი თხზულებების თარგმანები ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა, მაგრამ პრესის დაბალი პერიოდულობის გამო ზოგიერთი გამოცემა ერთი-ორი ნომრის შემდეგ წყვეტდა არსებობას და ამას სისტემატიური ხასიათი არ ჰქონდა.

ქართველი მოდერნისტების პრესა ახალი აზროვნების ფორმირების და მისი განვითარების საფეხურებს ასახავს, 1925 წლიდან კი ბოლშევიკებმა საერთოდ აღკვეთეს მოდერნისტების პრესა. მოგვიანებით, 1926 წელს დაარსდა ჟურნალი „ქართული მწერლობა”, რომლის გამოცემაც პირდაპირ არის დაკავშირებული ქართველი მწერლების ყრილობასთან, რომელიც იმავე წლის თებერვალში შედგა და რომლის უმთავრეს საკითხთაგანი იყო სალიტერატურო ცხოვრების გამოცოცხლება. ჟურნალი „ქართული მწერლობა” 1920-იანი წლების ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში იყო „პირველი კოალიციური” ორგანო, რომლის გარშემო თავი მოიყარა საქართველოში იმ დროისთვის არსებულმა ყველა ლიტერატურული დაჯგუფების წარმომადგენელმა. ჟურნალ „ქართული მწელობის” ძირითადი მიზანი გამოიხატებოდა სალიტერატურო ძალების იდეოლოგიურ გარდაქმნაში, მათი ახალი იდეოლოგიის, ახალი სოციალური ცხოვრების სამსახურში ჩაბმა-ჩაყენებაში. ამ თვალსაზრისით მრავლისმეტყველია 1926-1930 წლებში იქ გამოქვეყნებული ზოგიერთი სტატიის სათაური: „მწერლობა და საზოგადოება”, „მწერალთა კავშირის ამოცანები” და „თანამედროვეობა და ქართული პოეზია” „დასაყრდნობი წერტილი” და „ხელოვნება და ეროვნული საზოგადოებრიობა”, „მემარცხენეობა ქართულ ლიტერატურაში”,

„მემარცხენეობის „რევიზორი", „ბაირონი და ოქტომბრის რევოლუცია", „ოქტომბერი და დასავლეთის თანამედროვე პოეზია"; „ჩვენი მწერლობა და კულტურული რევოლუციის საკითხები", „ოქტომბერი და კულტურული რევოლუცია"; „მხატვრული გემოვნების სოციოლოგიის საკითხები", „ხელოვანი და კლასი", „სოციალური დაკვეთის დასაცავად", „მწერლობა სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე", „იდეოლოგიური ბრძოლის საკითხები", „კოლექტივიზაცია და მწერლობა", „სოციალური შეკვეთის თეორია".

პრესის მიმოხილვამ აჩვენა, რომ ამ პერიოდის პრესაში მიძღვნილია ესსეების შემდეგი ევროპელი ავტორებისადმი: სტეფან მალარმე, არტურ რემბო, ტრისტან კორბიერი, ჟიულ ლაფორგი და სხვ. ცალკეულ მოდერნისტ ავტორებზე ესსეების გარდა უაღრესად მნიშვნელოვანი ის ნაშრომები, რომლებიც თავად ლიტერატურულ მიმდინარეობებს ეხება, ამ მხრივ საგულისხმოა კონსტანტინე გამსახურდიას ესსეები „იმპრესიონიზმი თუ ექსპრესიონიზმი" (1922), მისივე „ახალი ევროპა. ლიტერატურული პარიზი" (1924), გრიგოლ რობაქიძის „ექსპრესსიონიზმი" (1924), ვალერიან გაფრინდაშვილის „ექსპრესიონისტული ლირიკა" (1924).

უნდა ითქვას, რომ ძირითადად ევროპელი მოდერნისტების შემოქმედება შუქდებოდა 1910-1920-იან წლების პერიოდიკაში. ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გარდა ესსეისტიკისა და კრიტიკული წერილებისა იბეჭდებოდა ევროპელი მოდერნისტი ავტორების თარგმანებიც.

კონსტანტინე ბრეგაძე

პუბლიკაციები:

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	კონსტანტინე ბრეგაძე	ქართული მოდერნიზმი როგორც ოქციდენტოცენტრიზმი (ქართული ლიტერატურული მოდერნიზმის სოციო-კულტურული, ესთეტიკური და პოეტოლოგიური კონტექსტები) - სჯანი. ჟურნალი ლიტერატურის თეორიასა და შედარებით ლიტერატურათმცოდნეობაში	№16	თბილისი, ლიტ. ინსტ-ის გამ-ობა	16 გვ.
2	კონსტანტინე ბრეგაძე	„ღამით ჰამლეტთან ერთად დავიძინე" (ნოვალისი), ანუ შექსპირის რეცეფცია გერმანულ რომანტიზმში - შექსპირი-450		თბილისი, გამ-ობა „უნივერსალი"	10 გვ.

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. სტატია არის ქართული ლიტერატურული მოდერნიზმის სოციოკულტურული თვალსაზრისით ანალიზის ცდა; ხაზგასმულია მისი დამსახურება დასავლეთზე კულტურული და ლიტერატურული ორიენტაციის თვალსაზრისით.

2. სტატიაში გაანალიზებული და გადმოცემულია შექსპირის შემოქმედების რეცეფციის

დინამიკა და პოეტოლოგიური მოტივები გერმანულ რომანტიზმში, რაც გადმოცემულია რომანტიკოსთა კონკრეტული ტექსტების (ნოვალისის დღიურები, ფრ. შლეგელის ათენეუმის ფრაგმენტები, ლ. ტიკის ესსე შექსპირზე) საფუძველზე.

სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	კონსტანტინე ბრეგაძე	კონსტანტინე გამსახურდიას ურბანისტული ლირიკა	31 ოქტ., 2015. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სემიოტიკის VI სამეცნიერო კონფერენცია – „ქალაქის სემიოტიკა და სემიოტიკა ქალქში".
2	კონსტანტინე ბრეგაძე	გოეთეს „ფაუსტის" ფინალის ინტერტექსტი	19-20 ოქტ., 2015. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, შედარებითი ლიტერატურის VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია
3	კონსტანტინე ბრეგაძე	ცოდნის ნება როგორც ძალაუფლების ნება: ჰორაციუსის კონცეპტ dulce/utile-ს დისკურსული ბუნება (გერმ. ენაზე)	14-16 ოქტ., 2015. თსუ, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „ტექსტისა და დისკურსის ანალიზის თეორია და პრაქტიკა. ეძღვნება პროფ. ლალი ქეცბა-ხუნდაძის 70 წლის იუბილეს".
4	კონსტანტინე ბრეგაძე	ლიტერატურული ტრადიციის გაგება ქართულ მოდერნიზმში	23-25 სექტ., 2015. შოთა რუსთაველის ქართულ ლიტერატურის ინსტიტუტი, I საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმში – "ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები".

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1. მოხსენებაში გაანალიზებულია კ. გამსახურდიას რამდენიმე ლირიკული ნიმუში (კერძოდ, „ბერლინი", „ქრისტე პარიზში 1999 წელს"), როგორც ურბანისტული ლირიკის პირველი ნიმუშები ქართული ლირიკის სივრცეში.

2. მოხსენება არის გოეთეს „ფაუსტის" ფინალის სუმირების ცდა ინტერტექსტური თვალსაზრისით. აღნიშნულია, რომ ფინალის ინტერტექსტი ეფუძნება კონკრეტულ თეოლოგიურ და ფილოსოფიურ თხზულებებსა და კონცეპტებს: კერძოდ, ორიგენეს თეოლოგიურ ნაშრომს „ყოველთა შემოკრებისათვის", პლატონის „ნადიმს", ასევე

არისტოტელესა და ლაიბნიცის ენტელექიისა და მონადების კონცეპტებს.

3. ფრ. ნიცშეს ძალაუფლების ნებისა და მ. ფუკოს ცოდნის ნების კონცეპტა საფუძვლზე მოხსენებაში გაანალიზებულია ჰორაციუსის კონცეპტთა - დულცე და უტილე-ს დისკურსული ბუნება, რომელსაც ხშირად ეფუძნება ლიტერატურული კანონი, კერძოდ მ. რ. რანიცკის რომანის კანონი.

4. მოხსენებაში გაანალიზებულია ქართული ლიტერატურული მოდერნიზმის ფარგლებში შემუშავებული ლიტერატურული ტრადიციის გაგება, რომლის მიხედვითაც, ცალსახად უკუგდებულია რეალიზმის პოეტიკა და ესთეტიკა და წარსული ლიტერატურული გამოცდულებიდან ორიენტაცია აღებულია რუსთაველსა (ტ. ტაბიძე) და გურამიშვილზე (კ. გამსახურდია).

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	სამეცნიერო მივლინება დიუსელდორფის ჰაინრიხ ჰაინეს უნივერსიტეტში - მასალების მოძიება და დამუშავება გერმანული ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოსათვის	კონსტანტინე ბრეგაძე	კონსტანტინე ბრეგაძე	გერმანიის აკადემიური გაცვლების სამსახური (DAAD)
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე) მასალების მოძიება და დამუშავება გერმანული ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოსათვის (საბაკალავრო პროგრამა - გერმანული ფილოლოგია).				

არჩილ წერედიანი

. პუბლიკაციები:
ა) საქართველოში

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მიშელ ფუკო (თარგმანი)	ლიტერატურის თეორია ქრესტომათია	თბილისი GCLAPress	19გვ

2	ვალენტინ ნიკიტინი (თარგმანი)	ლექსმცოდნეობა VII	თბილისი ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	18 გვ

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	"დრამის პოეტიკა და ქართული ორიგინალური დრამის ფორმირება (ანტიკური ეპოქიდან მე-20-ე საუკუნემდე). ილოლოგია იტერატურის თეორიისა და კომპარატივისტიკის განყოფილება	ირმა რატიანი	ირმა რატიანი, არჩილ წერედიანი, გუბაზ ლეთოდიანი	ადგილობრივი გრანტი (თსუ)
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				
კვლევის შედეგების ძირითადი ასპექტები აისახება სამეცნიერო სტატიებში, საიდანაც ერთი 2015 წელს დაიბეჭდება ადგილობრივ რეცენზირებად ჟურნალში, ხოლო მეორე, პროექტის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში, დაიბეჭდება საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალში.				

ნინო გაგოშაშვილი

პუბლიკაციები:
ა) საქართველოში

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	იოანე ოქროპირისა და ალექსანდრე კვიპრელის ქადაგებების	რჯული ქრისტესი ჯვრის თაყვანისცემა	თბილისი, გამომცემლობა ალილო, 2015	58

	ახალქართული თარგმანი; ამავე კრებულის რედაქტირება			
2	იოანე ოქროპირის ქადაგებების ახალქართული თარგმანი; ამავე კრებულის რედაქტირება	რჯული ქრისტესი აღდგომა	თბილისი, გამომცემლობა ალილო, 2015	14

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	როლან ბარტი მითი დღეს (თარგმანი ფრანგულიდან)	ქრესტომათია, ლიტერატურის თეორის	III ტომი	GCLA, თბილისი, 2015	54

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. ანოტაციები ქართულ ენაზე

სტატია: როლან ბარტი, *მითი დღეს* (თარგმანი)

როლან ბარტის ამ ნაშრომის მიხედვით, მითი არის კომუნიკაციის სისტემა, შეტყობინება და არა მხოლოდ სიტყვა, დისკურსი, ენა. ანალიზს საფუძვლად უდევს ბარტის სემიოლოგიური კონცეფცია, რომლის მიხედვითაც, მითში გამოყოფილია სამწევრიანი სისტემა: აღმნიშვნელი, აღსანიშნი და ნიშანი. საუბარია ასევე მითის ფორმაზე, კონცეპტზე, მითის ფუნქციაზე და ა.შ.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	ფრანგული ინსტიტიტის სტიპენდია ნატალი პიგეგროს წიგნის –		ნინო გაგოშაშვილი	პარიზი, მკვლევართა და ხელოვანთა სახლი,

	ინტერტექსტუალობის შესავალი – თარგმანზე			18 აგვისტო-18 სექტემბერი
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				
მომზადდა გამოსაცემად აღნიშნული წიგნი				

ნინო პოპიაშვილი

პუბლიკაციები:
ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნინო პოპიაშვილი	აკაკი წერეთლის "სულიკო" მსოფლიო ხალხთა ენებზე (იბეჭდება)	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	160
2	ნათელა ჩიტაური, შორენა შამანაძე, ნინო პოპიაშვილი	ქრთული მწერლობის ინტერკულტურული მოდელი და ეროვნული იდენტობის პრობლემა (იბეჭდება)	გამომცემლობა "უნივერსალი"	300

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. წიგნში თავმოყრილია აკაკი წერეთლის "სულიკოს" 70-ზე მეტი თარგმანი, მოძიებულია ზოგი თარგმანის ხელნაწერები, სხვადასხვა ენაზე "სულიკოს" სანოტო გამოცემები. წიგნს უძღვის ნინო პოპიაშვილის გამოკვლევა: "აკაკი წერეთლის "სულიკო" ენებსა და სტრიქონებს შორის" ქართულ და ინგლისურ ენებზე.
2. წიგნში განხილულია ქართული მწერლობის ინტერკულტურული მოდელი, როგორ კავშირშია ქართული სამამულო მწერლობა და საზღვარგარეთ შექმნილი, დიასპორული ლიტერატურა.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორებ	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდებ ის

	ი	დასახელება			რაოდენობა
1	ნინო პოპიაშვილი	**Woman writer – Georgian literary experience** ინგლისურ ენაზე	Skandinavian Studies https://www.tsu.ge/data/file_db/scandinavian-studies/Nino-Popiashvili.pdf	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. https://www.tsu.ge/data/file_db/scandinavian-studies/Nino-Popiashvili.pdf	8
2	ნინო პოპიაშვილი	**ომისა და ანტიომის ლიტერატურა (თანამედროვე ქართული და ოსური ლიტერატურის მაგალითზე)**	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის: "ქართულ-ოსური ურთიერთობები თანამედროვე ჭრილში" მასალები	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	9

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. From the beginning of mankind till today woman has been a source of inspiration; however woman's role in social, political, economic and other important spheres has been subject of dispute. Development of society has caused women to feel more self-conscious. In addition, men and women's roles and social stereotypes have been reconsidered and new conclusions, viewpoints and attitudes have been established. After the commencement of politically motivated women's movement in the 60s of the 20th century, some viewpoints about a woman's role have been altered in literature and scholarly world. On the one hand, women authors' emancipated literature appeared which were created on the basis of women's stories. On the other hand, there emerged feminist literary theory, which established the concept of female author (femininity, as an ethic category) in literary theory (English- Femininity, German - die Weiblichkeit, Russian - Женственность).

„ომის ლიტერატურა", როგორც ტერმინი მეოცე საუკუნის დასაწყისიდან გვხვდება. თავდაპირველად ის აღნიშნავდა პირველი მსოფლიო ომის დროს და შემდგომ, ომის თემაზე შექმნილი ლიტერატურულ ტექსტებს. მოგვიანებით, მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისა და დასრულების შემდეგ ტერმინმა გაიმყარა და გაიფართოვა მნიშვნელობა. დღეს ომის ლიტერატურაში მოიაზრება ყველა ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც ომის თემატიკაზეა შექმნილი. ომის ლიტერატურა საერთო სახელწოდებაა ტექსტებისა, რომლებიც ინსპირირებულია ომით, შექმნილია ომის თემატიკაზე. ომის ლიტერატურა მოიცავს იმ ტექსტებსაც, სადაც საომარი მოქმედებები არ არის აღწერილი, მაგრამ ომის გამოცდილებაა ნაჩვენები, მათ შორის: შიში, მწუხარება, განშორება, გარდაცვალება, დევნა, გადასახლება, იმედები და მოლოდინები. აღნიშნული ტერმინი მოიცავს იმ ლიტერატურული ნაწარმოებებსაც, რომლებიც ეხება ომისშემდგომ ეთიკურ, ფილოსოფიურ, საზოგადოებრივ ასპექტებს. სტატიაში განხილულია ომისა და ანტიომის ლიტერატურა, რომელიც ქართველი და ოსი ავტორების მიერ არის შექმნილი.

პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გერტ რობერტ გრუნერტი, ნინო პოპიაშვილი Gert Robert Gruenert, Nino Popiaschwili (hrsg.)	ქართული პოეზიის ანთოლოგია Eine Anthologie georgischer Lyrik	გერმანია, ლუდვისბურგი Deutschland, POP Verlag	580
ანოტაციები ქართულ ენაზე წიგნი წარმოადგენს ქართული პოეზიის ანთოლოგიას გერმანულ ენაზე, გამომცემლები: გერტ რობერტ გრუენერტი, ნინო პოპიაშვილი. ანთოლოგიას ახლავს ნინო პოპიაშვილის წინასიტყვაობა. ანთოლოგიაში შესულია 83 ავტორი. შემდგენელი და რედაქტორი: ნინო პოპიაშვილი				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნინო პოპიაშვილი	Aufklеrung – europеische Horizonten (Die wenig bekannte Vertreter der Aufklеrung) (University of Latvia) Materials of internationale Conference	-	University of Latvia	10
ანოტაციები					

1. Die Aufklეrung war eine europეische Bewegung, die sich unterschiedlich intensiv in den Lეndern West und Mitteleuropas entfaltete. Am Anfang der Ort der Aufklეrung war ganze Europa, aber, wie es auch bekannt ist, Aufklეrung, als Bewegung und als literarische, philosophische und kწnstliche Erscheinung, wწrde auch am Rande des Europas: Sowie in den kolonistischen Lეnder erschienen worden und auch, natწrlich, durch orientalischen Denkers und Reisender, in orientalische Lეnder war bekannt die Ideen von Aufklეrung. Die Hauptideen der Aufklეrung: Religion und Verstეndnisse, Toleranz, Menschenrechte, Kritik den existierenden Tendenzen, technologische Vorschritt, Industrialisierung, Problem des Individuums, Erziehungsschwerpunkte, kirchliche und religiეse Toleranzprobleme, Ausbildung und enzyklopეdische Kenntnisse waren auჭer zentraleuropეische Lეnder auch fწr Osteuropa wichtig. Mann soll merken, dass in osteuropეische Kontakten in 17. und 18. Jahrhundert treffen wir Mitglieder der Ღffentlichkeit: Schriftsteller und Humanisten, wessen Schwerpunkten die Hauptideen der Aufklეrung waren, hier soll, vor allem der Begrწnder der lettischen sეkulare Literatur, Gotthard Friedrich Stender (1714-1796) benannt werden. Wie es bekannt ist: Stender wurde in Jena studiert, danach war er Lehrer am frეnkischen Waisenhaus. 1744 wurde er Pastor im Riga, wo er seine Interessen zu lettische Sprache auch dargestellt hat. Er verfasste Grammatik der lettische Sprache und hat auch ein Lexikon der lettischen Sprache Verfassen. Es muss natწrlich auch seine andere wissenschaftliche Interessen nicht vergessen werden, als mehrfachiger Gelehrter, als Geograph, als Rektor und als beteiligter der Pietismus, als Diplomat und Pastor. Es ist wichtig: Seine Rolle in verschiedenen Bereichen, wie Theologie, Geografie, Geschichte, Musik, Technik: Sprachwissenschaft, Folklore, Astronomie, Kunst, Pედagogik bemerkbar zu machen.

სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნინო პოპიაშვილი	ნაციონალური ლიტერატურის კანონი და დიქტატურა (სტალინი და აკაკის “სულიკო”)	2015 წლის სექტემბერი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
2	ნინო პოპიაშვილი	National and Intercultural Frontiers of Literature (on the Example of Georgian Literature)	2015 წლის 4-6 ივლისი, საქართველოს მეცნიერებათა

		(in German Language)	ეროვნული აკადემია
3	ნინო პოპიაშვილი	''Suliko'' as a Poem and as a Song – Composers' Translated Masterpiece between Languages and Music	2015 წლის 25-29 სექტემბერი
4	ნინო პოპიაშვილი	ესეს სწავლება: წერის პრინციპები და მეთოდიკა	2015 წლის 17 ოქტომბერი
5	ნინო პოპიაშვილი, ნაირა ბეპიევი	ქართულ-პოლონური სამეფო ოჯახი	2015 წლის 14-16 ივნისი
6	ნინო პოპიაშვილი	ერთი ლექსის თარგმანების ანთოლოგია _ აკაკი წერეთლის „სულიკოს“ თარგმანები	2015 წლის 25-26 ივნისი
7	ნინო პოპიაშვილი	აკაკი წერეთლის „სულიკო“: გენეზისი და ლიტერატურული არქეტიპები	2015 წლის 22-24 ივნისი
8	ნინო პოპიაშვილი	იდენტობის ცნების ლიტერატურული დისკურსი: იაკობ გოგებაშვილის “იავნანამ რა ჰქმნა?”	2015 წლის 19 ოქტომბერი
9	ნინო პოპიაშვილი	ენის სწავლების ინტერაქტიული მეთოდი (ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების მაგალითზე)	
10	ნინო პოპიაშვილი	ომისა და ანტიომის ლიტერატურა (თანამედროვე ქართული და ოსური ლიტერატურის მაგალითზე)	

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1. ნაციონალური ლიტერატურის კანონი შედგება ყველაზე მნიშვნელოვანი, სავალდებულო ლიტერატურის კორპუსისაგან ხშირად იცვლება პოლიტიკური და იდეოლოგიური ცვლილებების პარალელურად. უნდა აღინიშნოს, რომ ნაციონალური ლიტერატურის კანონის კვლევა გულისხმობს პოლიტიკურ, იდეოლოგიურ, კულტუროლოგიურ და ლიტერატურათმცოდნეობით კვლევებს. ამავდროულად, ნაციონალური ლიტერატურის კანონი თავად არის პოლიტიკური სისტემა, რის გამოც კანონის ცვლილება ცალკეული პოლიტიკური რეჟიმების ცვლილებასთანაც არის კავშირში. მოხსენებაში

გამოთქმულია შეხედულება, რომ აკაკი წერეთლის ცნობილი ლექსი, "სულიკო" საბჭოთა კავშირის ბელადის, სტალინის საყვარელი ლექსი და სიმღერა იყო, რის გამოც იგი გახდა პოპულარული. შეხედულების არგუმენტებს წარმოადგენს ქართულ და უცხოურ წყაროებში დაცული ცნობები.

2. ლიტერატურა თავის არსში ინტერკულტურული და მულტიკულტურული ფენომენია. ლიტერატურა ეს არის ერთი მხრივ, ნაციონალურ იდენტობაზე და გამოცდილებაზე დამყარებული ნარატივი, ხოლო მეორე მხრივ, არსებული გამოცდილების, მულტიკულტურული გარემოს გაზიარება. ლიტერატურის ინტერკულტურულობა საშუალებას იძლევა მხატვრულ ნაწარმოებში ერთდროულად დავინახოთ რამდენიმე შრე, რომლებიც შესაძლოა თანაბრად, შესაძლოა გარკვეული ინტენსივობით იგრძნობოდეს და ასახულ იყოს ტექსტში. ნაციონალური შრე, ინტერკულტურული შრე, ავტორის შრე.

აღნიშნული დეფინიციების ინტენსივობა შესაძლოა სრულიად ინდივიდუალური იყოს ცალკეული ავტორებისა და მათი ცალკეული ტექსტების შემთხვევაში, ანუ ზოგგან შესაძლოა პირველხარისხოვანი იყოს ინტერკულტურული შრე, ხოლო სხვა შემთხვევაში, ნაციონალური შრე, ან ავტორის იდენტობის, პირადი გამოცდილების (და არა, მაგალითად, ნაციონალური გამოცდილებით მიღებული ინსპირაცია) შექმნილი ტექსტი. ქართულ ლიტერატურას მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები აქვს, სადაც შეიძლება ვიმსჯელოთ როგორც ლიტერატურის ნაციონალურ ხასიათზე, ისე ინტერკულტურულ ნაკადებზე.

3. აკაკის „სულიკო" 12 სტროფისაგან შედგება. „სულიკოს" თარგმანებზე მუშაობისას კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როგორი საერთაშორისო ინტერესი ერგო მას. ლექსი თარგმნილია მრავალ ენაზე, მათ შორის აფხაზურად, აზერბაიჯანულად, ბელორუსულად, ბულგარულად, გერმანულად, ესპანურად, ესპერანტოს ენაზე, ესტონურად, იაპონურად, ლატვიურად, ლიტვურად, ოსურად, პოლონურად, რუსულად, სლოვაკურად, სომხურად, უდმურტულ ენაზე, ფრანგულად, ჩეხურად, ჩინურად. ზოგ ენაზე არსებობს რამდენიმე თარგმანი. არაიშვიათად თარგმნილია სრული 12 სტროფი, თუმცა ზოგჯერ თარგმნილია პირველი 2-3 სტროფი, ანუ ლექსის ის ნაწილი, რომელიც სასიმღეროდ გამოიყენებოდა. ზოგჯერ თარგმანში დაკარგულია ლექსის ავტორისა და სიმღერის ავტორის სახელები და მოხსენიებულია, როგორც ხალხური სიმღერა. უნდა ითქვას, რომ „სულიკო" დღემდე პოპულარული ტექსტია და ოცდამეერთე საუკუნეშიც ითარგმნება როგორც ლექსი და როგორც სიმღერა.

4. ესე არის ლიტერატურის, ლიტერატურული კრიტიკისა და პუბლიცისტიკის ჟანრი. პროზაული თხზულება, რომელიც მოცულობით არ არისვრცელი, თუმცა გააჩნია დასრულებული სახე და ახასიათებს მსჯელობის ლოგიკური განვითარება. არსებობს სხვადასხვა სახის ესე: ბელეტრისტული, ფილოსოფიური, ისტორიული, სამეცნიერო, კრიტიკული.

ესეს ჟანრულ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ გააჩნია კომპოზიციური თავისუფლება, რაც ესეს შექმნისა და აგების მრავალფეროვნებას გულისხმობს. ასევე, ესეს აქვს მკვეთრად გამოხატული ავტორისეული ინდივიდუალობა და სუბიექტივიზმი, ესეში ხშირად ვხვდებით საუბრის ფორმის ელემენტებს, მკვეთრად გამოიხატება პლემიკური და კრიტიკული ანალიზი. ესეში გამოთქმულია ინდივიდუალური შთაბეჭდილებები და შეხედულებები. ესე თავისი აგებულებითა და ჟანრობრივი მახასიათებლებით ძალზე ახლოს არის ერთი მხრივ, ლიტერატურულ ნარკვევთან, ხოლ მეორე მხრივ, სამეცნიერო ნაშრომთან. ესეს ტიპის ტექსტებად და ნაწილობრივ სინონიმებად შეიძლება ჩაითვალოს ტრაქტატი, სტატია, ნარკვევი. ესესტური სტილისათვის დამახასიათებელია განათლებულობა, საკითხის წვდომისა და ანალიზის უნარი, ასოციაციური აზროვნება, აფორიზმულობა, ღიაობა, სასაუბრო ინტონაცია.

5. საქართველოს უკანასკნელი მეფე, გრიგოლ ბაგრატიონი (1789-1830) ოჯახურად და შემოქმედებითად მჭიდროდ იყო დაკავშირებული პოლონეთთან, მის კულტურასთან,

ყოფასთან. ამისი დასტურია მისი შემოქმედების გარკვეული ფურცლები და ქართულ-პოლონური მისი ოჯახი. მას ცოლად ჰყოლია ბარბარე ბუკრინსკაია (1810-1876), თბილისის კეთილშობილთა საწავლებლის დირექტორის თევდორე ბუკრინსკის ასული. გრიგოლ ბაგრატიონი სამეფო ოჯახს მიეკუთვნებოდა. იგი გიორგი მეთორმეტის შვილის, იოანეს ვაჟი ყოფილა. გრიგოლი ცნობილია, როგორც გარდამავალი ხანის მოღვაწე. მას მრავლად დაუტოვებია ლექსები, პოემები, სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებები, რითიც გარკვეული კვალი დატოვა ქართული მწერლობის ისტორიაში.

6. აკაკის „სულიკო“ 12 სტროფისაგან შედგება. „სულიკოს“ თარგმანებზე მუშაობისას კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როგორი საერთაშორისო ინტერესი ერგო მას. ლექსი თარგმნილია მრავალ ენაზე, მათ შორის აფხაზურად, აზერბაიჯანულად, ბელორუსულად, ბულგარულად, გერმანულად, ესპანურად, ესპერანტოს ენაზე, ესტონურად, იაპონურად, ლატვიურად, ლიტვურად, ოსურად, პოლონურად, რუსულად, სლოვაკურად, სომხურად, უდმურტულ ენაზე, ფრანგულად, ჩეხურად, ჩინურად. ზოგ ენაზე არსებობს რამდენიმე თარგმანი. არაიშვიათად თარგმნილია სრული 12 სტროფი, თუმცა ზოგჯერ თარგმნილია პირველი 2-3 სტროფი, ანუ ლექსის ის ნაწილი, რომელიც სასიმღეროდ გამოიყენებოდა. ზოგჯერ თარგმანში დაკარგულია ლექსის ავტორისა და სიმღერის ავტორის სახელები და მოხსენიებულია, როგორც ხალხური სიმღერა. უნდა ითქვას, რომ „სულიკო“ დღემდე პოპულარული ტექსტია და ოცდამეერთე საუკუნეშიც ითარგმნება როგორც ლექსი და როგორც სიმღერა.

7. აკაკი წერეთლის „სულიკო“ 1895 წლის 9 ივნისს დაიბეჭდა გაზეთ „კვალში“. ლექსის ავტოგრაფი დაკარგულია. „სულიკო“ ძალიან მალე გახდა პოპულარული როგორც ლექსი და როგორც სიმღერა, თუმცა უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ლექსის პოპულარობისა, იგი დღემდე ამოუხსნელ საიდუმლოდ რჩება. კიდევ უფრო დიდ საიდუმლოს წარმოადგენს ლექსის გენეზისის საკითხიც. საფიქრებელია, რომ აკაკის ცნობილი ლექსის გენეზისს წარმოადგენდეს ვაჟა-ფშაველას ლექსი „სამეფო სიყვარულისა“, რომელიც ვაჟას დაუწერია 1894 წელს და ორ სხვა ლექსთან ერთად გაუგზავნია გაზეთ „კვალის“ რედაქციაში. „კვალში“ ვაჟას ლექსი არ დაუბეჭდავთ. როგორც რედაქტორის მინაწერიდან ჩანს, ლექსი დაუწუნია აკაკის. „სამეფო სიყვარულისა“ 16 სტროფისაგან შედგება. მოვიტანთ ლექსის პირველ სტროფს:

„სატრფო დავკარგე, იმას ვეძებდი,
შემოვიარე მთელი ქვეყანა.
ჭირი და სევდა ზღვა და ხმელეთზე
სატრფოს მოძებარს შემხვდა ბევრგანა“.

შესაძლებელია, აკაკის „სულიკო“ ვაჟას „სამეფო სიყვარულისას“ თავისებური პასუხი იყოს (ა. გომართელი). შესაძლებელია, ეს იყოს ლიტერატურული რეცეფცია მარადიული ძიების თემაზე.

8. თვითიდენტიფიკაცია, საკუთარი იდენტობის ძიება ყოველ დროსა და ეპოქაში მნიშვნელოვანი და აქტუალურია. სოფოკლეს ტრაგედიის მსგავსად მხატვრულ ტექსტებში ხშირად არის არეკლილი საკუთარი იდენტობის, მეობის ძიების თემები. იაკობ გოგებაშვილის “იავნანამ რა ჰქმნა?” სწორედ იდენტობის დაკარგვისა და კვლავმოპოვების თემას ეხება. ავტორი მიუთითებს, რომ ქეთო კახეთის ერთ-ერთი ლამაზი სოფლიდანაა, ქეთო შეძლებული ოჯახისშვილია, ზურაბ ქართველაძის ერთადერთი ქალიშვილი. ცნობილია, რომ ეს გვარი ავტორის მიერ არის გამოგონილი, ვფიქრობთ, ქეთოს წარმოშობილობაში ქართველის ამგვარი ხაზგასმა ავტორის ჩანაფიქრის კიდევ უფრო გაცხადებას გულისხმობს, რომ ქეთო არა მხოლოდ ეთნიკურად ქართველია, არამედ ქართველი ქართველაძეა. ნაწარმოების დასაწყისიდანვე ამის გაცხადებით უკვე აშკარაა, რომ ქეთო დაუბრუნდება საქართველოს, რომ ქეთო ადრე თუ გვიან აღიდგენს ქართველაძეობას, ქეთო იპოვის თავის იდენტობას.

9. სწავლა და სწავლება არის პროცესი, რომელიც მრავალ განსხვავებულ მეთოდს მოიცავს. აუცილებელია აღინიშნოს, რომ შემეცნება, შესწავლა და კონცენტრირება ამა თუ იმ

კონკრეტულ სფეროზე მსმენელის: მოსწავლის, სტუდენტის აქტიურ ჩართვასაც გულისხმობს. ინტერაქტიული სწავლება გულისხმობს მსმენელების ჩართულობას საგაკვეთილო/სალექციო პროცესში. ასეთ შემთხვევაში აქცენტი გაკეთებულია სწავლების ისეთ ფორმებზე, რომელიც გათვლილია ყოველი მსმენელის აქტივობაზე. ხშირად მიაჩნიათ, რომ სწავლება მხოლოდ ცოდნის გადაცემაა, მაგრამ ავიწყდებათ, რომ იგი აუცილებლად გულისხმობს ცოდნის „აღებასაც“, ანუ რეალური სასწავლო პროცესი თავისთავად ინტერაქტიურია.

10. „ომის ლიტერატურა“, როგორც ტერმინი მეოცე საუკუნის დასაწყისიდან გვხვდება. თავდაპირველად ის აღნიშნავდა პირველი მსოფლიო ომის დროს და შემდგომ, ომის თემაზე შექმნილი ლიტერატურულ ტექსტებს. მოგვიანებით, მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისა და დასრულების შემდეგ ტერმინმა გაიმყარა და გაიფართოვა მნიშვნელობა. დღეს ომის ლიტერატურაში მოიაზრება ყველა ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც ომის თემატიკაზეა შექმნილი. ომის ლიტერატურა საერთო სახელწოდებაა ტექსტებისა, რომლებიც ინსპირირებულია ომით, შექმნილია ომის თემატიკაზე. ომის ლიტერატურა მოიცავს იმ ტექსტებსაც, სადაც საომარი მოქმედებები არ არის აღწერილი, მაგრამ ომის გამოცდილებაა ნაჩვენები, მათ შორის: შიში, მწუხარება, განშორება, გარდაცვალება, დევნა, გადასახლება, იმედები და მოლოდინები. აღნიშნული ტერმინი მოიცავს იმ ლიტერატურული ნაწარმოებებსაც, რომლებიც ეხება ომისშემდგომ ეთიკურ, ფილოსოფიურ, საზოგადოებრივ ასპექტებს.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნინო პოპიაშვილი	იოსებ პონტენის “ბაბილონის გოდოლი” და თანამედროვე დისკურსები **“Вавилонская башня" Иосифа Понтена и современный дискурс**	2015 წლის 1-4 დეკემბერი, რიგა, ლატვია

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

ბაბილონის გოდოლის ბიბლიური სიუჟეტი საუკუნეების განმავლობაში ხელოვნების სხვადასხვა სფეროს შთაგონების წყაროა. იოსებ პონტენის „ბაბილონის გოდოლი, ერთი ოჯახის ენათა აღრევის ისტორია“ (*Der Babylonische Turm. Geschichte der Sprachverwirrung einer Familie)* 1918 წელს გამოქვეყნდა. ეს არის ერთი ოჯახის ისტორია, სადაც ისევე ხდება ენათა, შეხედულებათა, წარმოდგენათა აღრევა, როგორც ბიბლიურ ბაბილონში. აღსანიშნავია, რომ იოსებ პონტენის რომანი თავიდანვე იქცა პონტენის თანამედროვე გერმანელი მწერლების ინტერესის ობიექტად. ცნობილია, რომ თომას მანი და ჰერმან ჰესე დიდ ყურადღებას იჩენდნენ ახალგაზრდა პონტენის შემოქმედების მიმართ. უნდა ითქვას ისიც, რომ თომას მანის დღიურებიდან ჩანს, როგორი ინტერესით კითხულობდა დიდი მწერალი ახალგაზრდა ავტორის ტექსტს.

პონტენის „ბაბილონის გოდოლი“ მოგვითხრობს ერთი ოჯახის ბედზე. ახალგაზრდა ჰერმან გროსიოჰანი, რომელმაც ახლახან დაასრულა უმაღლესი განათლება, ოცნებობს ბიბლიურ ბაბილონში ცხოვრებაზე. როდესაც მას მისი და, ფრანცისკა ეკითხება, თუ რა იტაცებს მას ყველაზე ეტად, თუ რატომ სურს ბაბილონში ცხოვრება, ჰერმანი პასუხობს:

„შენება, ფრანცისკა, შენება!“ რომანს ტრაგიკული დასასრული აქვს. რომანის მთავარი გმირის ოცნებები იმსხვრევა და იმედები ნადგურდება. ჰერმანი იღუპება ისე, რომ მისი აღარავის ესმის.

1.

2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	ქართული მწერლობის ინტერკულტურული მოდელი და ეროვნული იდენტობის პრობლემა	ალექსანდრე კარტოზია	ნათელა ჩიტაური, შორენა შამანაძე, ნინო პოპიაშვილი	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
2	მიგრაცია და ლიტერატურა	ნინო პოპიაშვილი	ახალგაზრდა მეცნიერთა გრანტის ფარგლებში	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

1. განხილულია ქართული მწერლობის ინტერკულტურული მოდელი, როგორ კავშირშია ქართული სამამულო მწერლობა და საზღვარგარეთ შექმნილი, დიასპორული ლიტერატურა.
2. საარლანდის უნივერსიტეტში მივლინებისას საშუალება მქონდა გავცნობოდი მდიდარ სამეცნიერო მასალას, როგორც უნივერსიტეტის საერთო ბიბლიოთეკაში, ასევე ზოგადი და შედარებითი ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში. რადგან თავიდანვე გავიარე ელექტრონული რეგისტრაცია სტუმარი პროფესორის რანგში, საშუალება მქონდა მესარგებლა ელექტრონული რესურსებითაც, მათ შორის, ელექტრონული წიგნებითაც. ასევე, უნივერსიტეტში გამოყოფილი მქონდა სამუშაო ადგილი (მაგიდა და კომპიუტერი), სადაც დავამუშავე ჩემი კვლევისათვის საინტერესო მასალა. მქონდა საინტერესო შეხვედრები და კონსულტაციები უნივერსიტეტის პროფესორებთან.

თამარ ბარბაქაძე

პუბლიკაციები:
ა) საქართველოში

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თამარ ბარბაქაძე	კრებული „ლექსმცოდნეობა“, VII. ეძღვნება ტერენტი გრანელის ხსოვნას	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	გვ. 9-59

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. სამეცნიერო გამოკვლევაში „ტერენტი გრანელის ლექსი“ პოეტის 1979 წლის „რჩეულზე“ დაყრდნობით (ნაშრომს ახლავს ტერენტი გრანელის სალექსო ფორმების ვერსიფიკაციული ცნობარი (გვ. 27-58), დადგენილია, რომ ტერენტი გრანელმა შექმნა თავისებური, ორიგინალური, გამორჩეული ვერსიფიკაციული ფორმა: კატრენები, ორსტროფიანი, სამსტროფიანი კომპოზიციები, სარკისებური ასახვითა და სინტაქსური პარალელიზმით.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თამარ ბარბაქაძე	მირზა გელოვანის „დაბრუნებული“ სონეტები და სხვა ლექსები	„სჯანი“, № 16, 2015	თბილისი, თსუ	გვ. 130-147

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. ნაშრომში მირზა გელოვანის საარქივო გამოცემის (ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის გამომცემლობა „ლიტერატურის მატიანე“, 2009) მიხედვით, შესწავლილია და გაანალიზებულია მირზა გელოვანის აქამდე უცნობი სონეტებისა და სხვა ლექსების ვერსიფიკაცია.

სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	თამარ ბარბაქაძე	შოთა ჩანტლაძის ლექსი – ტრადიციებისა და ნოვაციის ფონზე	IX საერთაშორისო სიმპოზიუმი, 23-25 სექტემბერი, თბილისი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
2.	თამარ ბარბაქაძე	ევროპული მყარი სალექსო ფორმები ალექსანდრე აბაშელის პოეზიაში	ლექსმცოდნეობის IX სამეცნიერო სესია (მიეძღვნა ალექსანდრე აბაშელის ხსოვნას), 10-11 ივნისი, თბილისი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1. ნაშრომში განხილულია შოთა ჩანტლაძის დამოკიდებულება ქართული ლექსის ტრადიციასთან და პოეტის ნოვატორობა. გამოკვეთილია მისი ლექსის შორეული და უახლესი წინაპრები: ქართული კლასიკური ლექსი და „ცისფერყანწელები“. სავარაუდოა, რომ შ. ჩანტლაძის ვერლიბრი პაოლო იაშვილის თავისუფალი ლექსის ნოვაციითაც იყო შთაგონებული.

2. მოხსენებაში გაანალიზებულია ალექსანდრე აბაშელის ევროპული მყარი სალექსო ფორმების: სონეტების, ტრიოლეტების, რონდოების, რონდელების, ოქტავებისა და ფრანგული ბალადის ვერსიფიკაციული თავისებურებანი.

დამატებითი აქტივობები:

1. თამარ ბარბაქაძის ორგანიზატორობით 2015 წლის 10-11 ივნისს შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში გაიმართა ალექსანდრე აბაშელისადმი მიძღვნილი ლექსმცოდნეობის IX სამეცნიერო სესია.

2. თამარ ბარბაქაძის ხელმღვანელობით 2015 წელს წარმატებით დაიცვეს სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომები: სალომე ლომოურმა და სალომე უსტარაშვილმა.

3. თ. ბარბაქაძე კითხულობს ლექციების კურსს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგებთან (ბაკალავრებთან და მაგისტრანტებთან): 1. ქართული ლექსმცოდნეობა (არჩევითი), ბაკალავრებთან; 2.

ქართული ლექსის პოეტიკა (სავალდებულო) მაგისტრანტებთან, 3. ერთი მწერლის პოეტიკა (არჩევითი) მაგისტრანტებთან.

4. თ. ბარბაქაძე არის ჟურნალ „სჯანის“ რედკოლეგიის წევრი.

5. თ. ბარბაქაძის რედაქტორობით მომზადდა და გამოვიდა კრებული „ლექსმცოდნეობა – VII (ტრენტი გრანელი)“.

გიორგი გაჩეჩილაძე

პუბლიკაციები:

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გიორგი გაჩეჩილაძე	პოლიტიკის პოეტიკა (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟაფშაველა, გალაკტიონი და სტალინი)	მე-9 საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, 2015	თბილისის სახ. უნ-ტის გამომცემლობა	გვ.6
ანოტაციები ქართულ ენაზე 1.					

სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	გიორგი გაჩეჩილაძე	პოლიტიკის პოეტიკა (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟაფშაველა, გალაკტიონი და სტალინი)	23-25 სექტ., 2015. შოთა რუსთაველის ქართულ ლიტერატურის ინსტიტუტი, I საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმში – “ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები”.

გუბაზ ლეთოდიანი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე
შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	"დრამის პოეტიკა და ქართული ორიგინალური დრამის ფორმირება (ანტიკური ეპოქიდან მე-20-ე საუკუნემდე). ილოლოგია იტერატურის თეორიისა და კომპარატივისტიკის განყოფილება	ირმა რატიანი	ირმა რატიანი, არჩილ წერედიანი, გუბაზ ლეთოდიანი	ადგილობრივი გრანტი (თსუ)
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				
კვლევის შედეგების ძირითადი ასპექტები აისახება სამეცნიერო სტატიებში, საიდანაც ერთი 2015 წელს დაიბეჭდება ადგილობრივ რეცენზირებად ჟურნალში, ხოლო მეორე, პროექტის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში, დაიბეჭდება საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალში				

რუსუდან თურნავა

პუბლიკაციები:

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებუ-ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	პიერ ბრუნელი(თარგმანი)	დითირამბი	გადაცემულია ლიტერატურული ძიებანის ბოლო ნომრისთვის	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამ-ბა	10 გვერდი
თარგმანი პიერ ბრუნელის წიგნიდან "ჟანრების მითოპოეტიკა", პარიზი, "პუფ", 2007. დიონისეს სადიდებლად შექმნილი დითირამბის, როგორც ქორალური ლირიკის ახა- ლი ფორმის წარმოშობის დრო და ადგილი. ჟანრის რეფორმა დიონისეს ფლეიტიდან კითარაზე გადასვლის მომენტში. დითირამბის ფუძემდებელი – არიონი. დითირამბის მითოპოეტიკა ცხადყოფს ჟანრის უშუალო კავშირს მითთან. დითირამბის ფორმები და გამოძახილი თანამედროვე ლირიკაში.					

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	რუსუდან თურნავა	არტურ რემბო ქართულ ლიტერატურაში	2015 წლის 10 სექტემბე- რი, პარიზი
მოხსენება წაკითხულ იქნა საფრანგეთის წიგნის ეროვნული ცენტრის სტიპენდიით პარიზის ხელოვანთა და მთარგმნელთა სახლში ყოფნის დროს, "მხატვრული სახელოსნოს" სხდომაზე(Centre International d'Accueil et d'Echanges des Recollets,150\154 rue du Faubourg St-Martin, 75010 Paris). მოხსენება ეხება არტურ რემბოს ქართულ თარგმანებს (პაოლო იაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის, კოლაუ ნადირაძის, გიორგი ქავთარაძის, გივი გეგეჭკორის) და ქართველი პოეტების დამოკიდებულებას ფრანგი პოეტის უჩვეულო სახისმეტყველებისა და მისი ნათელმხილველური ამბიციებისადმი.			

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	ქართული მოდერნიზმი (ლიტერატურათმცოდნეო- ბა, კომპარატივისტიკა)	გაგა ლომიძე	რუსუდან თურნავა	რუსთაველის ფონდი
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				
ფრანგული დეკადანსისა და სიმბოლიზმის ჩამოყალიბება, მისი სოციო-პოლიტიკური და კულტურული კონტექსტი. ფრანგული სიმბოლიზმი ჩამოყალიბდა ხანგრძლივი და რთული, წინააღმდეგობრივი შემოქმედებითი პროცესის შედეგად 1870- 1885 წლებში. იგი საჯაროდ პირველად გამოვიდა ლიტერატურულ ასპარეზზე ჟან მორეასის მანიფესტით 1886 წელს. მომდევნო ათი წელი კი დასჭირდა მისი თეორიის დახვეწას და საყოველთაო საზოგადოებრივ აღიარებას. დეკადანსი როგორც ლიტერატურული განვითარების ფაზა წინ უსწრებს სიმბოლიზმს, რომელიც ჩამოყალიბდა მასთან მეტოქეობის პირობებში. 1870-იანი წლების პარიზის კაფეებმა და კაბარეებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს დეკადენტურ-სიმბოლისტური სკოლის ჩამოყალიბების საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ 1895-1914 წლებში სიმბოლისტურმა ღირებულებებმა კრიზისი განიცადეს, სიმბოლისტებს აკრიტიკებდნენ "რომანული სკოლა" და "ნატურისტები", საპასუხოდ შექმნილმა ნეო-სიმბოლისტურმა სკოლამ ბერგსონის ფილოსოფიაზე დაყრდნობით შეძლო პასუხი გაეცა ვიწრო და რეალობას მოწყვეტილი ესთეტიზმის			

ბრალდებაზე, რომელიც ხშირად ისმოდა მის მიმართ.
სიმბოლისტების წყალობით აღიარებული ვერლიბრი გასცდა ერთი თაობის ფარგლებს.

ირაკლი კენჭოშვილი

პუბლიკაციები:
ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ირაკლი კენჭოშვილი	"ქართული პოეტური მოდერნიზმის ინტერტექსტი". *სჯანი.*	№16	თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი	12
2	ირაკლი კენჭოშვილი	ცვეტან ტოდოროვი. "ლიტერატურის ცნებისათვის". *ლიტერატურის თეორიის ქრესტომათია*	№III	თბილისი: GCLA *Press*	18

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. ქართული პოეტური მოდერნიზმის ინტერტექსტი ხასიათდება რომანტიკული თვითგამოხატვის ესთეტიკისაგან დაშორებით, პოეტურ ტექსტებში ჰეტეროგენული ბუნების ინტერტექსტობრივი სივრცის ხვედრითი წილის ზრდითა და გარკვეული ტიპოლოგიური სიახლოვით ბაროკოს პოეზიასთან.

2. თარგმანი ინგლისურიდან, რასაც თან ახლავს მთარგმნელის კომენტარები.

პუბლიკაციები:

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ირაკლი კენჭოშვილი	"აზერბაიჯანული სასიმღერო		ბაქო: ბაქოს სლავური	15

		ლირიკა XVIII საკუნისა და XIX საუკუნის პირველი მეოთხედის ქართულ ხელნაწერებში”.		უნივერსიტეტი	
ანოტაციები ქართულ ენაზე 1. XVIII საუკუნის II ნახევრისა და XIX საუკუნის პირველი მეოთხედის ხელნაწერ კრებულებსა და ანთოლოგიებში ხშირად გვხვდება ქართული ასოებით გადაწერილი თურქულენოვანი (აზერბაიჯანული) სასიმღერო ლირიკის ტექსტები. ყოველივე ეს იმ ფაქტის თავისებური გამოვლინებაა, რომ აღნიშნული პერიოდის ქართული ლირიკის განვითარებისა და განახლების პროცესში გარკვეულ როლს ასრულებდა აზერბაიჯანული ლირიკიდან მომდინარე სალექსო ფორმები და სტილური საშუალებები.					

სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ირაკლი კენჭოშვილი	ალ. აბაშელის ადრინდელი ლირიკა და ბალმონტიზმი	27.03.2015. თბილისი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე 1. ნაშრომში მოცემულია იმ დებულების არგუმენტირება, რომ ალექსანდრე აბაშელის 1910-იანი და 1920-იანი წლების დასაწყისის ლირიკაში, განსაკუთრებით გრძელი საზომებით დაწერილ ლექსებში, თვალსაჩინოა კონსტანტინე ბალმონტის პოეზიიდან მომდინარე ჭარბი მელოდიზმის, ანაფორების სიმრავლისა და შიდა რითმების ზეგავლენის კვალი.			

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ირაკლი კენჭოშვილი	Азербайджанская песенная лирика в грузинских рукописях XVIII-го века и первых трех деятелей XIX-го века	27-28 ნოემბერი, ბაქოს სლავური უნივერსიტეტი, ბაქო, აზერბაიჯანი
მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე 1. XVIII საკუნის II ნახევრისა და XIX საუკუნის პირველი მეოთხედის ხელნაწერ კრებულებსა და ანთოლოგიებში ხშირად გვხვდება ქართული ასოებით გადაწერილი თურქულენოვანი (აზერბაიჯანული) სასიმღერო ლირიკის ტექსტები. ყოველივე ეს იმ ფაქტის			

თავისებური გამოვლინებაა, რომ აღნიშნული პერიოდის ქართული ლირიკის განვითარებისა და განახლების პროცესში გარკვეულ როლს ასრულებდა აზერბაიჯანული ლირიკიდან მომდინარე სალექსო ფორმები და სტილური საშუალებები.

თამარ ნუცუბიძე

პუბლიკაციები:
ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თამარ ნუცუბიძე	იური ლოტმანი. “ენა, როგორც ლიტერატურის მასალა”. *ლიტერატურის თეორიის ქრესტომათია.*	№III	თბილისი: GCLA *Press*	6
2	თამარ ნუცუბიძე	იური ლოტმანი. “პოეტური ტექსტის სტრუქტურული ანალიზის ამოცანები და მეთოდები”. *ლიტერატურის თეორიის ქრესტომათია.*	№III	თბილისი: GCLA *Press*	9
ანოტაციები 1. თარგმანი იური ლოტმანის წიგნიდან “Анализ поэтического текста” (1972). 2. თარგმანი იური ლოტმანის წიგნიდან “Анализ поэтического текста” (1972).					

თსუ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
ინსტიტუტის დირექტორი – პროფესორი ირმა რატიანი

ქართული ლიტერატურის სამეცნიერო განყოფილება

განყოფილების ხელმძღვანელი ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი მანანა კვაჭანტირაძე

პერსონალური შემადგენლობა:

ამირან არაბული
დარეჯან მენაბდე
მაია ჯალიაშვილი
ლალი ავალიანი
მანანა კვატაია
ემზარ კვიტაიშვილი.
ნონა კუპრეიშვილი
გოჩა კუჭუხიძე
ანა ლეთოდიანი
ინგა მილორავა
თამარ შარაბიძე
თამაზ ვასაძე
საბა–ფირუზ მეტრეველი
ნანა მრევლიშვილი
ირინა ნაცვლიშვილი
ადა ნემსაძე
მირანდა ტყეშელაშვილი
მანანა შამილიშვილი
ეკა ჩიკვაიძე
თამარ ციციშვილი
ზოია ცხადაია
მაკა ჯოხაძე

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის
დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის „გზამკვლევის“ სერიის IV წიგნი – **„იოვანე საბანისძის „აბო თბილელის წამება“**. ჰუმანიტარული მეცნიერება. ქართველოლოგია. ქართული ლიტერატურა	**დარეჯან მენაბდე**	**გოჩა კუჭუხიძე,** **დარეჯან მენაბდე,** **ანა ლეთოდიანი,** **საბა მეტრეველი,** **ნანა მრევლიშვილი,** **ირინა ნაცვლიშვილი,** **ეკა ჩიკვაიძე.**

პროექტი – „გზამკვლევის“ სერიის IV წიგნი – **„იოვანე საბანისძის „აბო თბილელის წამება“** შესრულდა 2014-2015 წლების განმავლობაში. 2015 წლის ბოლოსთვის დასრულდა მუშაობა კრებულზე და მომზადდა წიგნის ელექტრონული ვერსია.

2015 წელს შესრულდა შემდეგი სამუშაო:

1. რუბრიკისათვის – „ქართველი მეცნიერები „აბო თბილელის წამების“ შესახებ“ – მასალის (ამონარიდების) მოძიება.
2. რუბრიკისათვის – „ტექსტი“ – აბო თბილელის შესახებ შექმნილი ჰიმნოგრაფიული, სვინაქსარული და სხვა ტექსტების მოძიება და მომზადება წიგნში შესატანად.
3. „აბო თბილელის წამების“ ბიობლიოგრაფიის შედგენა ქართულ და უცხოურ ენებზე.
4. „აბო თბილელის წამების“ ინგლისური თარგმანის ელექტრონული ვერსიის მომზადება.
5. წიგნისთვის საჭირო საილუსტრაციო მასალის შეკრება და სასტამბოდ გამზადები.
6. წიგნის ელექტრონული ვერსიის სასტამბოდ მომზადება.

2015 წლის ბოლოსთვის კრებული მზად არის გამოსაცემად.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2	**მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის საკითხები** ჰუმანიტარული მეცნიერება. ქართველოლოგია. ქართული ლიტერატურა	**თამარ შარაბიძე**	**თამარ შარაბიძე,** **ამირან არაბული,** **თამარ ციციშვილი,** **თამაზ ვასაძე,** **ქეთევან ნინიძე.**

პროექტი მოიცავს ვრცელ პერიოდს 2014–2023 წლებს. 2014-2016 წლებში მუშაობა მიმდინარეობს თემაზე: **მე-19 საუკუნის ქართული დრამატურგია. ლიტერატურულ-პუბლიცისტური კონოტაციები.** მასში შედის მე-18 საუკუნის ბოლოსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში თეატრალური სანახაობები, 50-იანი, 60-იანი, 80-90-იანი და 900-იანი წლების დრამატურგია და თეატრალური კრიტიკა. 2015 წელს დასრულდა პროექტის მეორე ეტაპი – საზოგადოებრივ ასპარეზზე თერგდალეულთა გამოჩენა, ხელახალი ბრძოლა თეატრის აღორძინებისათვის; თეატრის რეპერტუარისა და ენის სპეციფიკის განსაზღვრა, დრამის ჟანრის დამკვიდრება; თეატრალური კრიტიკა. ქართველი კლასიკოსები – აკაკი წერეთელი, ალ. ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა – თეატრისათვის.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
3	**XX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული სალიტერატურო პროცესი (2014-2018 წ.წ.);** ჰუმანიტარული მეცნიერება. ქართველოლოგია. ქართული ლიტერატურა	**მანანა კვაჭანტირაძე**	**ინგა მილორავა** **მაია ჯალიაშვილი** **ლალი ავალიანი** **ემზარ კვიტაიშვილი** **ნონა კუპრეიშვილი** **ზოია ცხადაია** **მაკა ჯოხაძე** **მანანა კვატაია** **მანანა შამილიშვილი** **ადა ნემსაძე** **მირანდა ტყეშელაშვილი**

პროექტი ხუთწლიანია (2014-2018 წლები). 2015 წელს გაგრძელდა მუშაობა და შეიქმნა ახალი სამეცნიერო კვლევები გეგმით გათვალისწინებულ მწერალთა (პოეტების,

პროზაიკოსებისა და კრიტიკოსების) შესახებ. მუშაობის პროცესში გამოვიყენეთ ახალი სამეცნიერო კვლევები, უკანასკნელ პერიოდებში დაზუსტებული და აღმოჩენილი ბიოგრაფიული ფაქტები, კულტურულ ცხოვრებაში მომხდარი დღემდე უცნობი თუ ნაკლებადცნობილი მოვლენები. შედეგად მივიღეთ განახლებული და ზოგჯერ პრინციპულად ახალი შემოქმედებითი პორტრეტები შემდეგი მწერლებისა:

სანდრო ცირეკიძე – შემსრულებელი მაკა ჯოხაძე;
გალაკტიონ ტაბიძე – შემსრულებელი მაია ჯალიაშვილი;
ვალერიან გაფრინდაშვილი – შემსრულებელი ინგა მილორავა;
კიტა აბაშიძე – შემსრულებელი მანანა კვატაია;
გიორგი ლეონიძე (მხატვრული შემოქმედება) – შემსრულებელი ემზარ კვიტაიშვილი;
ვახტანგ კოტეტიშვილი – შემსრულებელი ნონა კუპრეიშვილი;
შალვა დადიანი – შემსრულებელი ადა ნემსაძე;
ტიციან ტაბიძე – შემსრულებელი ზოია ცხადაია;
დემნა შენგელაია – შემსრულებელი მირანდა ტყეშელაშვილი;
დემოკრატიული მწერლობა, ლიტერატურული დაჯგუფებები – შემსრულებელი ლალი ავალიანი;
20-30-იანი წლების პუბლიცისტიკის ზოგადი ტენდენციები – შემსრულებელი მანანა შამილიშვილი.

მომზადებულია 10-20-იანი წლების ლიტერატურულ დაჯგუფებათა ჩამოყალიბება-განვითარების ისტორია (აკადემიური ასოციაცია, არიფიონი, ქართველ ფუტურისტთა ჯგუფი); ასევე თავი: ქართული დემოკრატიული მწერლობა – მისი ზოგადი ტენდენციები, წარმომადგენლები და ქრონოლოგიური ჩარჩო; შეიქმნა ახალი ნაკვეთი ქართველ პროლეტარულ მწერალთა შესახებ (აღსანიშნავია, რომ ამგვარი, კონიუნქტურისაგან თავისუფალი, ახალ მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული გამოკვლევა დღემდე არ არსებობს ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში); გაანალიზდა მოდერნისტული პერიოდის ლიტერატურული თუ პარტიული პრესა, გამოიკვეთა მათი ლიტერატურული პოლიტიკა და გავლენა იმ პერიოდის ზოგადკულტურულ პროცესებზე. ამ ძალზე მნიშვნელოვანი და წინააღმდეგობრივი ისტორიულ-პოლიტიკური და კულტურული ეპოქის თავისებურებები გამოკვლეულია ახალი მიდგომების, შეხედულებების, შეფასებების გათვალისწინებით; ყველა თავს ერთვის ბიბლიოგრაფია.

სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	**ნიკოლოზ ბარათაშვილი – ანალიტიკური გზამკვლევი** ჰუმანიტარული მეცნიერება. ქართველოლოგია. ქართული ლიტერატურა	რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	**თამაზ ვასაძე**	**თამარ შარაბიძე**
2	**ეკონომიკური კონცეპტები ქართულ მხატვრულ პროზაში**	რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	**ნონა კუპრეიშვილი**	**სოსო ტაბუცაძე, ნინო ვახანია ემზარ ჯგერენაია**

	ჰუმანიტარული მეცნიერება. ქართველოლოგია. ქართული ლიტერატურა			**გიორგი ქეშელაშვილი**
3.	**ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა გასაბჭოებიდან მეორე მსოფლიო ომამდე (1921–41 წწ)** ჰუმანიტარული მეცნიერება. ქართველოლოგია.	რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	**მაკა ელბაქიძე**	**ნონა კუპრეიშვილი, ზოია ცხადაია, მანანა შამილიშვილი, ადა ნემსაძე, მაია ჯალიაშვილი, მანანა კვატაია, მაკა ჯოხაძე**

არდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

ნიკოლოზ ბარათაშვილი – ანალიტიკური გზამკვლევი

პროექტის სამუშაო ვადაა 2 წელი და 6 თვე. შესრულებულია პირველი ეტაპი, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ ამოცანებს: ბიბლიოგრაფიის შედგენა, ბარათაშვილის სრულყოფილი ბიოგრაფია, ბარათაშვილისდროინდელი ქართული სოციალურ-პოლიტიკური რეალობა და მაშინდელი თბილისის სოციო-კულტურულ სინამდვილე, ბარათაშვილის შემოქმედების ზოგადი მიმოხილვა.

ეკონომიკური კონცეპტები ქართულ მხატვრულ პროზაში

საგრანტო პროექტის მიზანია ახალი ეკონომიკური კრიტიკის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით კვლევის მოცემულ ლოკალში მოიძიოს და გააანალიზოს ეკონომიკისა და ლიტერატურის ურთიერთშეხების, მათი ურთიერთგადაკვეთის ფორმები. კვლევა მოიცავს როგორც აღნიშნული პერიოდის დასავლეთ-ევროპული ესთეტიკურ-ფილოსოფიური, ასევე ეკონომიკურ-სოციოლოგიური აზრის გაცნობა-რეზიუმირებას, რათა გამოვლინდეს ქართულ მხატვრულ პროზასა და პუბლიცისტიკაზე მათი ზემოქმედების ხარისხი. კვლევის ამ ეტაპზე შესრულებულია გეგმით გათვალისწინებული სამუშაო. XIX-XX საუკუნეთა მიჯნის კულტურული პარადიგმის შეცვლის პერიოდი და ამის მიზეზები, კერძოდ, ეკონომიკის ლიტერატურაში და ლიტერატურაში ეკონომიკის შეღწევადობის არსებული ტენდენცია, რამაც განსაზღვრა ის არჩევანი, რომელიც მაშინ გაკეთდა და რომელმაც საქართველო განვითარების ევროპულ გზას დიდი ხნით ჩამოაშორა.

ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა
გასაბჭოებიდან მეორე მსოფლიო ომამდე (1921–41 წწ)

საგრანტო პროექტი „ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა გასაბჭოებიდან მეორე მსოფლიო ომამდე (1921–41 წწ)“ მიზნად ისახავს ქართული ლიტერატურის ისტორიის ძალზე რთული, წინააღმდეგობებითა და ტრაგიზმით აღსავსე ეპოქის მეცნიერულ შეფასებას იმ პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ფონის გათვალისწინებით, რომლის წიაღშიც ეს ლიტერატურა შეიქმნა. პროექტის მეცნიერული სიახლე ისაა, რომ უცნობ და ნაკლებად ცნობილ საარქივო მასალებზე დაყრდნობით სრულიად ახალ რაკურსში იქნას გააზრებული ქართული ლიტერატურის ისტორიის ოცი, ალბათ ყველაზე რთული წელი. პროექტის მთავარ ამოცანას წარმოადგენს, ერთი მხრივ, შსს არქივში დაცული უცნობი და ნაკლებად ცნობილი დოკუმენტური მასალების გამოვლენა, მეორე მხრივ კი, საარქივო მასალაზე დაყრდნობით საკვლევი პერიოდის ლიტერატურული პროცესების სიღრმისეული

ანალიზის ჩატარება.

პროექტის შემსრულებლებმა დაასრულეს მუშაობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში და მოიძიეს იქ დაცული მასალა – 1921–24; 1924–29, 1929-36, 1937-41 წლების სისხლის სამართლის საქმეები. ამჟამად დასრულებულია მოპოვებული მასალის სისტემატიზაცია და დარჩენილ მე-6 პერიოდში მიმდინარეობს მუშაობა წიგნის გამოსაცემად.

II. 1. პუბლიკაციები:
ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ემზარ კვიტაიშვილი	**სამსახეობა თამაზ ჩხენკელისა**	თბილისი, „ჩვენი მწერლობა“	148 გვ.
2	საბა მეტრეველი	**კომუნისტური აგიოგრაფია**	თბილისი, გამომცემლობა „მწიგნობარი“	344 გვ.

ანოტაციები ქართულ ენაზე

ემზარ კვიტაიშვილი

სამსახეობა თამაზ ჩხენკელისა

მონოგრაფიაში წარმოჩენილია თამაზ ჩხენკელის მრავალმხრივი ღვაწლი ქართული კულტურის წინაშე, კერძოდ კი, როგორც პოეტის, მთარგმნელისა და მეცნიერის. ასევე წარმოჩენილია მისი პიროვნული თვისებები.

საბა მეტრეველი

კომუნისტური აგიოგრაფია

წიგნში შესწავლილია საბჭოთა ტოტალიტარიზმის ლიტერატურული პანორამა, კერძოდ, პოლიტიკურ-ლიტერატურული ტერორი და ანტირელიგიური დისკურსი. კომუნისტური იდეოლოგია, დოგმატური მარქსიზმი განხილულია, როგორც პარტიული // პოლიტიკური მწერლობის, კომუნისტური აგიოგრაფიის მსოფლმხედველობრივი ბირთვი, წარმოჩენილია მისი ძირითადი ტენდენციები, „სოვეტური“ კონცეპტები, პარადიგმული მოდელები და სტრუქტურა.

აკადემიური გამოცემა

№	აკადემიური ტექსტის მომმზადებლები და სამეცნიერო აპარატის ავტორი/ავტორები	აკადემიური გამოცემის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	სამეცნიერო აპარატის გვერდების რაოდენობა
1	მანანა კვატაია	**აკაკი წერეთელი. „თხზულებათა სრული კრებული 20 ტომად“.** ტომი 10	თბილისი, „საქართველოს მაცნე“	60 გვ.

2	ქეთევან ნინიძე მაია არველაძე	**აკაკი წერეთელი. „თხზულებათა სრული კრებული 20 ტომად“.** ტომი 8	თბილისი, „საქართველოს მაცნე“	48 გვ.

ანოტაციები ქართულ ენაზე

მანანა კვატაია

აკაკი წერეთელი. „თხზულებათა სრული კრებული 20 ტომად“. ტომი 10

აკაკი წერეთლის ახალი აკადემიური ოცტომეულის X ტომში შეტანილია აკაკის მიერ სხვადასხვა დროს თარგმნილი დრამატული თხზულებები: მოლიერის “სკაპენის ცუღლუტობა”, მირზა ფათალი ახუნდოვის “ხანის ვეზირი”, ალ. სუმბათაშვილის “ღალატი” და ჰენრიკ სენკევიჩის “ვიდრე ხვალ, უფალო?”, რომელთა კანონიკური აკადემიური ტექსტები დადგენილია მწერლის ხელნაწერებისა და მის სიცოცხლეში დაბეჭდილი წყაროების შესწავლისა და შეჯერების საფუძველზე.

ქეთევან ნინიძე

აკაკი წერეთელი. „თხზულებათა სრული კრებული 20 ტომად“. ტომი 8

აკაკი წერეთლის 14 დრამატული ნაწარმოების ყველა ვარიანტი შეჯერებულია ერთმანეთთან, დადგენილია ძირითადი ტექსტი, შედგენილია ვარიანტები და შენიშვნები, მომზადებულია ტექსტოლოგიური პასპორტები, ტექსტებისთვის დართულია კომენტარები და შედგენილია საძიებლები.

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თამარ შარაბიძე, ირმა რატიანი (რედაქტორები)	**ქართული რეალიზმის სათავეებთან**	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	220 გვ.

ანოტაციები ქართულ ენაზე

40-50-იანი წლების ქართული ლიტერატურის ისტორია

კრებული წარმოადგენს XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის გარკვეული პერიოდის, კერძოდ, 40-50-იანი წლების ლიტერატურული ცხოვრების ისტორიას. წიგნში თავმოყრილია შემდეგი მწერლების ლიტერატურული პორტრეტები: *გიორგი ერისთავი, ზურაბ ანტონოვი, ლავრენტი არდაზიანი, რაფიელ ერისთავი, ბარბარე ჯორჯაძე, დანიელ ჭონქაძე.* ასევე ნარკვევები: *ქართული რეალიზმის წარმოშობა* და *ლიტერატურული პორტრეტები გიორგი ერისთავის „ცისკრის“ ფურცლებზე.* სახელმძღვანელო მოამზადა ავტორთა ჯგუფმა: თამაზ ვასაძე, თამარ შარაბიძე, ინგა მილორავა, თამარ ციციშვილი, ქეთევან ნინიძე, ამირან არაბული.

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მანანა კვაჭანტირაძე	**„კრიტიკა“**	თბილისი, თსუ	361 გვ.

	(რედაქტორი)		გამომცემლობა	
2	ნანა მრევლიშვილი, ეკა ჩიკვაიძე	**წერილები აგიოგრაფიაზე**	თბილისი, გამომცემლობა „დანი“	200 გვ.

ანოტაციები ქართულ ენაზე

ჟურნალი „კრიტიკა“

2015 წელს გამოვიდა ჟურნალ „კრიტიკის“ მე-10 ნომერი. ტრადიციისამებრ, ჟურნალის ფურცლები ეთმობა თანამედროვე ქართული ლიტერატურისა და კულტურის მნიშვნელოვან მოვლენებს. ჟურნალში მოთავსებულია სტატიები ირაკლი სამსონაძის, გუჩა კვარაცხელიას, გია ლომაძის, შოთა იათაშვილის, ლევან ბერიძის, დაურ ნაჭყებიას შემოქმედების, ასევე კულტურისა (ქართული თეატრის, კონოსა და მხატვრობის) და ჟურნალისტიკის თანამედროვე პრობლემატიკის შესახებ, რეცენზიები ახალ წიგნებსა და სპექტაკლებზე. ამავე ნომერში იბეჭდება ამა წლის მაისში ლიტერატურის ინსტიტუტში ჩატარებული ტიციან ტაბიძისა და გერონტი ქიქოძის იუბილეებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის მასალები. კრებული მოამზადა ავტორთა ჯგუფმა: მაია ჯალიაშვილი, ლალი ავალიანი, ნონა კუპრეიშვილი, ინგა მილორავა, ადა ნემსაძე, მირანდა ტყეშელაშვილი, მაკა ჯოხაძე, ზოია ცხადაია, ამირან არაბული, საბა მეტრეველი, მანანა შამილიშვილი, მანანა კვატაია.

ნანა მრევლიშვილი, ეკა ჩიკვაიძე

წერილები აგიოგრაფიაზე

წიგნში თავმოყრილია ავტორთა მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული წერილები, რომლებიც ეხება ბიზანტიურ და ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლებს. ნაშრომებში წამოწეულია ჟანრობრივი თავისებურებების, სტრუქტურა-კომპოზიციის, დოგმატური და სხვა საკითხები.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მანანა კვაჭანტირაძე	ავტორის პრობლემა გ. რჩეულიშვილის შემოქმედებაში – „სჯანი”	№16	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	გვ. 212-231
2	მანანა კვაჭანტირაძე	მე-19 საუკუნის სოციოკულტურული სივრცე და რუსეთის კოლონიური პოლიტიკა – „ლიტერატურული ძიებანი”	№36	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	(იბეჭდება)
1	ამირან არაბული	„სამზეოს გამოვესალმე“ (ყოფნა-არყოფნა. საფლავის ქვა და მწუხარების საგალობლები) – „კრიტიკა“	№10	თბილისი, თსუ გამომცემლობა	გვ. 144-177
2	ამირან არაბული	ქართული ციხე-კოშკები და ხალხური სიტყვიერება – საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის	III	თბილისი	5 გვ.

		სახელობის ქართული უნივერსიტეტის შრომები			
3	ამირან არაბული	რაფიელ ერისთავი – კრებული „ქართული რეალიზმის სათავეებთან“		თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	გვ. 129-161
1	დარეჯან მენაბდე	აკაკი წერეთელი და ქართული საკარო-სახოტბო პოეზიის ლიტერატურული ტრადიცია. IX საერთაშორისო სომპოზიუმის „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“. მასალები.		თბილისი. ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	(იბეჭდება)
2	დარეჯან მენაბდე	ქვენიფნეველთა საგვარეულო მატიანის ინტერდისციპლინარული კონტექსტი. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახლმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება“ – II. მასალები.		ქუთაისი. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	გვ. 267-272
3	დარეჯან მენაბდე	თარგმანი როგორც ქართული დიასპორული კულტურის მახასიათებელი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „მიგრაციული პროცესები და იდენტობათა ტრანსლაცია“. შრომათა კრებული.		თბილისი	(იბეჭდება)
1	მაია ჯალიაშვილი	„პოეტური ნიღბის ინტერპრეტაცია“ – IX საერთაშორისო სომპოზიუმის „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“. მასალები.		თბილისი. ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	(იბეჭდება)
2	მაია ჯალიაშვილი	გრიგოლ რობაქიძის პორტრეტი – ქართველ მწერალთა პორტრეტები (კრებული)		თბილისი, გამომცემლობა „ნოტა ბენე“	(იბეჭდება)
3	მაია ჯალიაშვილი	გალაკტიონ ტაბიძის პორტრეტი – ქართველ მწერალთა პორტრეტები (კრებული)		თბილისი, გამომცემლობა „ნოტა ბენე“	(იბეჭდება)

4	მაია ჯალიაშვილი	მუსიკალური თხრობის ვარიაციები - ჟურნ. „სჯანი“	№16	თბილისი. ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	გვ. 73-92
5	მაია ჯალიაშვილი	მითოსური მოდელები - „ლიტერატურული ძიებანი“	№36	თბილისი. ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	(იბეჭდება)
6	მაია ჯალიაშვილი	პიროვნული თავისუფლება და პასუხისმგებლობა ქართულ პროზაში - კრებულში „ლიბერალიზმის ეპოქა ქართულ ლიტერატურაში“		თბილისი. ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	გვ. 203-211
7	მაია ჯალიაშვილი	პიროვნება და მორალური მართლმსაჯულების ფენომენი - კრებულში „ლიბერალიზმის ეპოქა ქართულ ლიტერატურაში“		თბილისი. ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	გვ. 212-220
8	მაია ჯალიაშვილი	დიონისური ტიციან ტაბიძის პოეზიაში - ჟურნ. „კრიტიკა“	№10	თბილისი. თსუ გამომცემლობა	გვ. 259-273
9	მაია ჯალიაშვილი	ვანილის მოტკბო სურნელი (ირაკლი სამსონაძის პიესები) - ჟურნ. „კრიტიკა“ სუნთქვა მარადისობისა (აკაკი მინდიაშვილის წიგნზე „მე ვარ იესო, რომელსაც მდევნი“) -	№10	თბილისი. თსუ გამომცემლობა	გვ. 27-41
10	მაია ჯალიაშვილი	ჟურნ. „საგურამო“	№1 (11)	თბილისი	გვ. 56-66
1	ლალი ავალიანი	„ფუტურის-ლეფელები“ – ალმანახი „მწიგნობარი“		თბილისი	გვ. 45-57
2	ლალი ავალიანი	„Varia“ – „კრიტიკა“	№10	თბილისი. თსუ გამომცემლობა	გვ. 42-52
3	ლალი ავალიანი	ლიტერატურული მისტიფიკაცია, როგორც მოდერნისტული პარადიგმა – „ლიტერატურული ძიებანი“	№36	თბილისი. ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	(იბეჭდება)
4	ლალი ავალიანი	პაოლო იაშვილი – ქართველ მწერალთა პორტრეტები (კრებული)		თბილისი, გამომცემლობა „ნოტა ბენე“	(იბეჭდება)
5		ტიციან ტაბიძე – ქართველ მწერალთა პორტრეტები (კრებული)		თბილისი, გამომცემლობა „ნოტა ბენე“	(იბეჭდება)

1	მანანა კვატაია	კლასიკის მარადიულობის ენიგმური ალგორითმი – IX საერთაშორისო სომპოზიუმის „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“. მასალები.		თბილისი. ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	(იბეჭდება)
2	მანანა კვატაია	“ჩემი მეგობარი რაინჰოლდ ჩაკერტი”.. – “ლიტერატურული ძიებანი”	№36	თბილისი. ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	(იბეჭდება)
3	მანანა კვატაია	მსოფლმხედველობრივი ორიენტირების ძიებაში – “კრიტიკა”	№10	თბილისი. თსუ გამომცემლობა	გვ. 248-258
4	მანანა კვატაია	ჯაკ ლაკანი. „ფსიქოლოგია და მეტაფსიქოლოგია“ (სამეცნიერო თარგმანი) – “კრიტიკა”	№10	თბილისი. თსუ გამომცემლობა	გვ. 322-337
5	მანანა კვატაია	აკაკი წერეთლის ეპისტოლური Alter ego. – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული	VI	თბილისი	გვ. 169-192
6	მანანა კვატაია	გრიგოლ რობაქიძე. „სტალინი, ვითარცა არიმანული ძალმოსილება“ (სამეცნიერო თარგმანი) – წიგნში: “ლენინი. სტალინი. ჰიტლერი. მუსოლინი”		თბილისი. „ინტელექტი“	გვ. 16-45
7	მანანა კვატაია	Pro et contra დასავლური აზროვნების ცენტრალური მაგისტრალისა – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის – “მიგრაციული პროცესები და იდენტობათა ტრანსლაცია” – მასალები		თბილისი	(იბეჭდება)
1	ემზარ კვიტაიშვილი	სიბრძნესთან შეზავებული გამოცდილება – ჟურნ. „სიტყვა“	№26	თბილისი	15 გვ.
2	ემზარ კვიტაიშვილი	შეიცნო ბუნების ენა – ჟურნ. „ცისკარი“	№11	თბილისი	5 გვ.

1	გოჩა კუჭუხიძე	პეტრე კაზანსკი. ეგვიპტელ მონაზონთა ცხოვრება I-IV საუკუნეები (თარგმანი წინასიტყვაობითა და შენიშვნებით), დასაწყისი – ჟურნ. „რელიგია“	№1	თბილისი	გვ. 31-52
2	გოჩა კუჭუხიძე	პეტრე კაზანსკი. ეგვიპტელ მონაზონთა ცხოვრება I-IV საუკუნეები (თარგმანი წინასიტყვაობითა და შენიშვნებით), დასაწყისი – ჟურნ. „რელიგია“	№2	თბილისი	(იბეჭდება)
3	Gocha Kuchukhidze	On a More Precise Definition of One Lexical Unit in the Gospel Translations – Litinfo	Volume 8, Issue 1	Tbilisi	litinfo.ge
4	გოჩა კუჭუხიძე	დრო და სივრცე „წმიდა ნინოს ცხოვრების“ ერთ ეპიზოდში – IX საერთაშორისო სომპოზიუმის „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“. მასალები.		თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	(იბეჭდება)
5	გოჩა კუჭუხიძე	ორი შრე „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში – „ლიტერატურული ძიებანი“	№36	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	(იბეჭდება)
1	ინგა მილორავა	ლიბერალიზმის ქართული ველი - „სჯანი“	№16	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	გვ. 282-285
2	ინგა მილორავა	ზღვის სივრცული მოდელი მოდერნისტულ ტექტსში – ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება“ – II. მასალები		ქუთაისი. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	გვ. 279-283
3	ინგა მილორავა	„საზღვრისიქითა ქალაქების“ ათინათები (გუჩა კვარაცხელიას პოეტური კრებული „ათინათები“)	№10	თბილისი, თსუ გამომცემლობა	გვ. 61-69
	ინგა მილორავა	გიორგი ერისთავი – „ქართული რეალიზმის სათავეებთან“ (კრებული)		თბილისი, თსუ	გვ. 50-75

4				გამომცემლობა	
1	ნონა კუპრეიშვილი	ვახტანგ კოტეტიშვილი – ჟ. „სჯანი”	№16	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	გვ. 270-275
2	ნონა კუპრეიშვილი	„საით შენ, მწერალო?“ – „კრიტიკა“	№10	თბილისი, თსუ გამომცემლობა	გვ. 53-60
1	თამარ შარაბიძე	სატირა და იუმორი აკაკი წერეთლის პროზაში. საერთაშორისო სამეცნიეროკონფერენციის – აკაკი წერეთელი და მისი ეპოქა – მასალები.		თბილისი, თსუ გამომცემლობა	3 გვერდი
2	თამარ შარაბიძე	სატირა და იუმორი აკაკი წერეთლის პოეზიაში – მე-9 საერთაშორისო სიმპოზიუმის „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“. მასალები		თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	(იბეჭდება)
3	თამარ შარაბიძე	ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრების ბოლო წელი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის – ენა და კულტურა – შრომები		ქუთაისი, გამომცემლბა „მერიდიანი“	6 გვერდი
4		ლიტერატურული პორტრეტები გიორგი ერისთავის „ცისკრის“ ფურცლებზე – „ქართული რეალიზმის სათავეებთან“ (კრებული)		თბილისი, თსუ გამომცემლობა	გვ. 10-49
1	თამაზ ვასაძე	ქართული რეალიზმის წარმოშობა – „ქართული რეალიზმის სათავეებთან“ (კრებული)		თბილისი, თსუ გამომცემლობა	გვ. 5-9
1	თამარ ციციშვილი	ზურაბ ანტონოვი – კრებული „ქართული რეალიზმის სათავეებთან“		თბილისი, თსუ გამომცემლობა	გვ. 76-106
2	თამარ ციციშვილი	ბარბარე ჯორჯაძე – კრებული „ქართული რეალიზმის სათავეებთან“		თბილისი, თსუ გამომცემლობა	გვ. 162-193
3	თამარ ციციშვილი	ჰანს რობერტ იაუსი „ლიტერატურის ისტორია, როგორც ლიტერატურის თეორიის გამოწვევა“ (სამეცნიერო თარგმანი) – „ლიტერატურის თეორია“ (ქრესტომათია)	III	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	გვ. 430-437
1	ზოია ცხადაია	ტერენტი გრანელის პოეზიის	VII	თბილისი,	გვ. 200-243

		ძირითადი ასპექტები – კრებული „ლექსმცოდნეობა“		ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	
2	ზოია ცხადაია	პარტორგანიზაცია – მწერლობაზე იდეური კონტროლის სტრატეგი – „ლიტერატურული ძიებანი“	№36	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	(იბეჭდება)
3	ზოია ცხადაია	დადეშქელიანების ამბავი – ქრონიკები XIX საუკუნის სვანეთის ისტორიიდან – „მწიგნობარი“		თბილისი	გვ. 72-83
4	ზოია ცხადაია	„ბედნიერს ბედი სხვა არსად არი“ (გალაკტიონის ასი ლექსის გამო) – „მწიგნობარი“		თბილისი	გვ. 24-29
5	ზოია ცხადაია	ეს უკიდეგანო სირცხვილი (დაურ ნაჭყებიას რომანი „ღამის ნაპირი“) – „კრიტიკა“	№10	თბილისი, თსუ გამომცემლობა	გვ. 133-143
1	მაკა ჯოხაძე	„იცხოვრე სამ დროში“ პორტრეტები ოჯახურ ინტერიერში – „კრიტიკა“	№10	თბილისი, თსუ გამომცემლობა	გვ. 112-132
1	ირინა ნაცვლიშვილი	წმინდა ნინოს ღვაწლის სახისმეტყველური ასახვისათვის თხზულების „მოქცევაი ქართლისაი“ ერთ კონტექსტში – ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება“ – II. მასალები		ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	გვ. 301-306
2	ირინა ნაცვლიშვილი	ისტორიული ტრადიცია XX საუკუნის ქართული სიტორიული რომანის კონტექსტში – მე-9 საერთაშორისო სიმპოზიუმის „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“. მასალები		თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	(იბეჭდება)
1	მანანა შამილიშვილი	„მელოდრამატული მედიაკულტურის“ ქართული პარადიგმები – „კრიტიკა“	№10	თბილისი, თსუ გამომცემლობა	გვ. 238-247
2	მანანა შამილიშვილი მარი წერეთელი	1918-21 წლების ქართული პარტიული პრესის ლიტერატურულ-პუბლიცისტური ინტერესები –		თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	(იბეჭდება)

3	მანანა შამილიშვილი	მე-9 საერთაშორისო სიმპოზიუმის „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“. მასალები პოლიტიკური სიმბოლო ქართულ ვიზუალურ მედიაენაში – მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“ სამეცნიერო შრომების კრებული		თბილისი, თსუ გამომცემლობა	გვ. 402-414
1	საბა მეტრეველი	უნივერსალური თამაშის პროფესია - ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება“ – II. მასალები		ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	გვ. 273-278
2	საბა მეტრეველი	ზეცისა და პოეზიის რწმენა – კრებული „ლექსმცოდნეობა“	VII	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	გვ. 109-116
3	საბა მეტრეველი	თამაშის ხელოვნება – „კრიტიკა“ ეპოქის პოეტური ისტორია – „ლიტერატურული ძიებანი“	№10	თბილისი, თსუ გამომცემლობა	გვ. 178-208
4	საბა მეტრეველი	ქალი და სიყვარული საბჭოთა ტოტალიტარიზმის ლიტერატურულ დისკურსში – მე-9 საერთაშორისო სიმპოზიუმის „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“. მასალები	№36	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	(იბეჭდება)
5	საბა მეტრეველი	შალვა ამირეჯიბის ტრაგიკული სიყვარულის პოეზია – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „მიგრაციული პროცესები და იდენტობათა ტრანსლაცია“. შრომათა კრებული		თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	(იბეჭდება)
6				თბილისი	(იბეჭდება)
1	ქეთევან ნინიძე	„ქალთა ლიტერატურული საქმიანობა საქართველოში“ (მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი) – კრებულში		თბილისი. ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	გვ. 165-172

		„ლიბერალიზმის ეპოქა ქართულ ლიტერატურაში“			
2	ქეთევან ნინიძე	„დედათა საკითხის“ რეფლექსია ქართულ პრესაში“ – კრებულში „ლიბერალიზმის ეპოქა ქართულ ლიტერატურაში“		თბილისი. ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	გვ. 233-251
3	ქეთევან ნინიძე	ლავრენტი არდაზიანი – კრებული „ქართული რეალიზმის სათავეებთან		თბილისი. ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	გვ. 107-128
4	ქეთევან ნინიძე	„ეპოქის შვილები“ - თამაზ ვასაძის ლიტერატურულ-ფილოსოფიური ესეების კრებული – „სჯანი“	№16	თბილისი. ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	გვ. 280-281
1	ანა ლეთოდიანი	ლურჯი ფერის გააზრება ტერენტი გრანელის შემოქმედებაში – II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება“ თემაზე: ინტერდისციპლინარულობა და პარადიგმულობა თანამედროვე ჰუმანიტარულ აზროვნებაში (მასალები)		ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	გვ. 217-221
2	ანა ლეთოდიანი, ადა ნემსაძე	20-იანი წლების ქართული რეალობის რეცეფცია ინდო ინასარის რომან „ჩრდილი ერთი სინამდვილისას“ მიხედვით – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „მიგრაციული პროცესები და იდენტობათა ტრანსლაცია“. შრომათა კრებული		თბილისი	(იბეჭდება)
1	ადა ნემსაძე	იმპერიული, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა სივრცის მხატვრული ტრანსფორმაცია ოთარ ჭილაძის „გოდორში“ – მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“ სამეცნიერო შრომების კრებული	№2	თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	გვ. 251-264
2	ადა ნემსაძე	სტამბოლის ქართველთა მონასტერი და ერთი ტრაგიკული ამბავი 30-იანი წლებიდან (შსს-ს არქივის მასალების მიხედვით) – II		ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის	გვ. 312-317

		საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება“ თემაზე: ინტერდისციპლინარულობა და პარადიგმულობა თანამედროვე ჰუმანიტარულ აზროვნებაში (მასალები)		გამომცემლობა	
3	ადა ნემსაძე	ამორძალების მითი ტიციან ტაბიძის მხატვრულ პროზაში – ჟურნალი „კრიტიკა“	№10	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	გვ. 279-290
4	ადა ნემსაძე	„ბუშის ქუჩით დაწყებული დემოკრატიის“ რეალური სურათი (გია ლომაძის „სალამი საქართველოდან“) – ჟურნალი „კრიტიკა“	№10	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	გვ. 70-82
5	ანა ლეთოდიანი, ადა ნემსაძე	20-იანი წლების ქართული რეალობის რეცეფცია ინდო ინასარის რომან „ჩრდილი ერთი სინამდვილისას“ მიხედვით – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „მიგრაციული პროცესები და იდენტობათა ტრანსლაცია“. შრომათა კრებული		თბილისი	(იბეჭდება)
1	მირანდა ტყეშელაშვილი	დაკარგული საქართველოს ძიებაში – „კრიტიკა“	№10	თბილისი, თსუ გამომცემლობა	გვ. 90-102

ა ნ ო ტ ა ც ი ე ბ ი

მანანა კვაჭანტირაძე

ავტორის პრობლემა გ. რჩეულიშვილის შემოქმედებაში

სტატიაში გამოკვლეულია ავტორობის პრობლემა გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებაში, მისი დამოკიდებულება მთხრობელის, ნარატორის ფუნქციის მიმართ თხრობის პროცესში. გ. რჩეულიშვილის შემომედებითი ძიებების გააზრება პრობლემათა ამ რიგთან შესაბამისობაში ნათელყოფს მის მძაფრ რეაქციას საერთო ლიტერატურული კანონის რღვევის ტენდენციებზე: გმირის სახის დაშლის მიღმა იგი ხედავს ავტორის მონოლითური ფიგურის, ზოგადად, მწერლობის ავტორიტეტული დისკურსის მოშლის ტენდენცის და მას აღიქვამს, როგორც სოციოკულტურული პროცესის დროისმიერ შემაშფოთებელ ეტაპს, თავისი განსხვავებული აქცენტებით დასავლეთსა და საბჭოეთში.

მე-19 საუკუნის სოციოკულტურული სივრცე და რუსეთის კოლონიური პოლიტიკა

ნაშრომში გაანალიზებულია ლიტერატურული შეკრებების, წრეებისა და სალონური ცხოვრების ისტორია XIX ს-ის პირველ ნახევარში. რუსეთის კოლონიური პოლიტიკის კონტექსტში, მის სტრატეგიულ ამოცანებთან შესაბამისობაში განხილულია ამ პერიოდის თბილისის კულტურული ცხოვრებისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა ტიპის „საჯარო აქტები”: არისტოკრატთა სახლებში გამართული შინაური წარმოდგენები, ლიტერატურული წრეები, სალონები, მუსიკალური საღამოები, ოჯახური წარმოდგენები, კულტურული დანიშნულების საქმიანი შეკრებები, სადილები და ბალები. ქართული არისტოკრატიის მონაწილება

იმ პოლიტიკურ და კულტურულ ცვლილებებში, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვას მოჰყვა.

ამირან არაბული

საფლავის ქვა და სამგლოვიარო ლექსი

ნაშრომში განხილულია უმდიდრესი ხალხური სიტყვიერება, რომელიც საფლავის ქვისა (ქვითხუროობის) და სამგლოვიარო ლექსის (ძირითადად ეპიტაფიის) თავისებურებას წარმოაჩენს.

ქართული ციხე-კოშკები და ხალხური სიტყვიერება

თავდაცვითი დანიშნულების საპორტიფიკაციო ნაგებობებს კუთვნილი ადგილი უჭირავს პოეტურ ფოლკლორსა და მრავალრიცხოვან ქართულ გადმოცემებში. ნაშრომში მოხმობილი ზეპირსიტყვიერი მასალა მოწმობს, რაოდენ დიდი ყურადღება ექცეოდა ციხე-კოშკებს ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

რაფიელ ერისთავი

სტატია წარმოადგენს რაფიელ ერისთავის ლიტერატურულ პორტრეტს, რომელშიც მწერლის ბიოგრაფიის არსებითი მომენტები და ლიტერატურული მემკვიდრეობაა განხილული.

დარეჯან მენაბდე

აკაკი წერეთელი და ქართული საკარო-სახოტბო პოეზიის ლიტერატურული ტრადიცია

ლიტერატურულ ტრადიცია აკაკისთვის არ იყო ხელშეუხებელი ფასეულობა, ამიტომაც, მიუხედავად ზოგადად ამ ტრადიციისადმი პატივისცემისა, იგი არ ერიდებოდა საკუთარი (ზოგჯერ არცთუ შეუმცდარი) პოზიციის გამოხატვას. ნაშრომში გამოკვეთილია აკაკის უარყოფითი დამოკიდებულება ქართული საკარო-სახოტბო პოეზიისადმი, რომელიც, ტრადიციულად, საყოველთაო ყურადღებისა და განდიდების საგნად იყო მიჩნეული. ქართული საკარო-სახოტბო პოეზიის თემას აკაკი რამდენიმე პუბლიცისტურ სტატიაში შეეხო: „ქართული სცენა“ (1895), „უბრალო საუბარი“ (1898), „მცირე რამ პროფესორ მარრის უკანასკნელის თხზულების გამო“ (1902). სახოტბო პოეზიის მიმართ პოეტის ნეგატიურ შეფასებებს თავისი ახსნა აქვს – აკაკისთვის მსოფლმხედველობრივად მიუღებელი იყო მეხოტბეთა ლიტერატურული პრინციპები და იდეოლოგიური (მონარქისტული) კონცეფცია. სწორედ აკაკის მსოფლმხედველობრივი კონცეფციით შეიძლება აიხსნას ისიც, რომ მისი რანგის პოეტისთვის შეუმჩნეველი და შეუფასებელი დარჩა ძველი ქართული სახოტბო პოეზიის ლიტერატურული ღირსებები.

ქვენიფნეველთა საგვარეულო მატიანის ინტერდისციპლინარული კონტექსტი

თანამედროვე ჰუმანიტარული აზროვნების მნიშვნელოვანი მახასიათებელია ინტერდისციპლინარული კვლევები. ამ მხრივ, ზოგადად ძველი ქართული მწერლობის ძეგლები საინტერესო მასალას იძლევა. ქართული საისტორიო მწერლობის არაერთი ძეგლი თავისუფლად შეიძლება იქნეს განხილული ლიტერატურათმცოდნეობით კონტექსტში. განსაკუთრებით მრავალფეროვანია ამ მხრივ ადრეული ხანის მატიანეები, რასაც ვერ ვიტყვით გვიანდელ საისტორიო ტექსტებზე, თუმცა ლიტერატურათმცოდნეობითი თვალსაზრისით XIV-XV საუკუნეების მატიანეების ინტერდისპლინარული კვლევა მაინც საჭიროა, რადგან ამგვარი მიდგომით შესაძლებელი ხდება საისტორიო ტექსტების ლიტერატურული მნიშვნელობისა და ღირსებების წარმოჩენა. მოცემული კვლევის საგანია ქვენიფნეველთა საგვარეულო მატიანე. მიუხედავად იმისა, რომ ტექსტის ხასიათი და მიზანდასახულობა (ერთი კონკრეტული ფეოდალური სახლის ისტორიის აღწერა) არ მოითხოვდა მხატვრული თხრობის ელემენტებს, ძველი ქართული მატიანეებისათვის ტრადიციულად დამახასიათებელი ტენდენცია მოვლენათა მხატვრულად ასახვისა, ქვენიფნეველთა მატიანეშიც მკაფიოდაა გამოვლენილი. ეს უკანასკნელი

გარემოება კი საინტერესო მასალას იძლევა ტექსტის ინტერდისციპლინარული (საისტორიო-სალიტერატურო) რაკურსით კვლევისათვის.

თარგმანი როგორც ქართული დიასპორული კულტურის მახასიათებელი

თარგმანი, როგორც ნაციონალური იდენტობის შენარჩუნებისა და საზღვარგარეთ ეროვნული კულტურის პოპულარიზაციის ფორმა, დიასპორული კულტურის მნიშვნელოვანი მახასიათებელია. მოცემული კვლევის საგანია უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა მიერ XXI საუკუნეში შესრულებული თარგმანები ძველი ქართული მწერლობის ძეგლებისა. ნაშრომში განხილულია ლიტვაში მოღვაწე ქართველი დეკანოზის, იოსებ ზეთეიშვილის, მიერ რუსულ ენაზე თარგმნილი ქართული სასულიერო მწერლობის ნიმუშები: „შუშანიკის წამება“, „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“, „აბო თბილელის წამება“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ და იტალიაში მოღვაწე ქართველი მეცნიერის, გაგა შურღაიას, მიერ იტალიურ ენაზე თარგმნილი „აბო თბილელის წამება“, რომელიც შესულია მის წიგნში „ქართული სულიერი კულტურა“ (იტალიურ ენაზე). აღნიშნული თარგმანები გამოირჩევა სიზუსტითა და მაღალი მთარგმნელობითი ოსტატობით. რაც მთავარია, მიღწეულია მთარგმნელთა მიზანი – ქართული სულიერი კულტურის მონაპოვართა ჩართვა ევროპულ კულტურულ-სააზროვნო სივრცეში.

მაია ჯალიაშვილი

პოეტური ნიღბის ინტერპრეტაცია

სტატიაში წარმოჩენილია აკაკი წერეთლის ლექსის „შამილის სიზმარი“ ზოგადკულტურული კონტექსტი. გაანალიზებულია, რა სიმბოლური დატვირთვა მიანიჭა პოეტმა ისტორიულ პიროვნებას, რათა გამოეხატა კავკასიური ერთიანობის, სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების იდეები.

გრიგოლ რობაქიძის პორტრეტი

სტატიაში წარმოჩენილია გრიგოლ რობაქიძის ცხოვრებისა და შემოქმედების ძირითადი ასპექტები, გაანალიზებულია მისი ნაწარმოებების პრობლემატიკა მოდერნიზმის კონტექსტში.

გალაკტიონ ტაბიძის პორტრეტი

სტატიაში წარმოჩენილია გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებისა და შემოქმედების ძირითადი ასპექტები, გაანალიზებულია მისი პოეზიის მხატვრული სისტემის თავისებურებანი.

მუსიკალური თხრობის ვარიაციები

სტატიაში წარმოჩენილია გრიგოლ რობაქიძის, კონსტანტინე გამსახურდიასა და დემნა შენგელაიას მოდერნისტულ რომანებში როგორი მხატვრული მეთოდები და სტრატეგიებია გამოყენებული სხვადასხვა ტიპის მუსიკალური თხრობით სტრუქტურების შესაქმნელად. სიტყვათქმნადობის რა მოდელებია შექმნილი ფრაზათა მუსიკალურობის გასამძაფრებლად.

მითოსური მოდელები

სტატიაში გაანალიზებულია ქართულ მოდერნისტულ რომანებში მწერლები როგორ იყენებენ ბერძნულ, შუამდინარულსა და ქართულ მითოსურ სახეებს მხატვრული დრო-სივრცის შესაქმნელად, პერსონაჟთა ხასიათების სიღრმისეულად გადმოსაცემად.

პიროვნული თავისუფლება და პასუხისმგებლობა ქართულ პროზაში

სტატიაში წარმოჩენილია, თუ როგორ არის მხატვრულ სივრცეში ხორცშესხმული საზოგადოების ისეთი ღირებულებები, როგორებიცაა: პიროვნული თავისუფლება და

პასუხისმგებლობაა, რა ურთიერთმიმართებაა მათ შორის.

პიროვნება და მორალური მართლმსაჯულების ფენომენი

სტატიაში გაანალიზებულია ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობის, „ხევისბერი გოჩას“, პრობლემატიკა, კერძოდ, პიროვნების რაობა და მისი დამიკიდებულება მორალურ მართლმსაჯულებასთან. გაანალიზებულია მორალური მართლმსაჯულების ფენომენის სხვადასხვა ასპექტი.

დიონისური ტიციან ტაბიძის პოეზიაში

სტატიაში წარმოჩენილია, როგორ განხორციელდა ტიციან ტაბიძის ტროპულ სახეებში დიონისურის ფენომენის სხვადასხვა ასპექტი.

ვანილის მოტკბო სურნელი (ირაკლი სამსონაძის პიესები)

სტატიაში გაანალიზებულია ირაკლი სამსონაძის იმ პიესების პრობლემატიკა და ესთეტიკა, რომლებიც თავმოყრილია წიგნში „კომედიიდანტრაგედიამდე აბსურდის ბილეთით“.

სუნთქვა მარადისობისა

სტატიაში წარმოჩენილია აკაკი მინდიაშვილის წიგნის - „მე ვარ იესო, რომელსაც მდევნი“ - პრობლემატიკა, ის საკითხები, რომლებიც თანამედროვე საზოგადოებას აწუხებს და წარმოაჩენს სულიერების კრიზისს.

ლალი ავალიანი
„Varia“

ლიტერატურულ-კრიტიკულ ჩანაწერებში მიმოხილულია XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის არასათანადო აღქმა, მისი სკრუპულოზური შესწავლის აუცილებლობა; თანამედროვე ლიტერატურული პროცესის ზოგი ტენდენცია, ქართული ენის სიწმინდის დაცვის აუცილებლობა.

ფუტურისტ-ლეფელები

1921-29 წლებში არსებული ქართული ფუტურისტული დაჯგუფება წარმოადგენდა იტალიური და რუსული ფუტურისტული სკოლებისა და კონსტრუქტივიზმის სიმბიოზს. ქართულ პოეზიაში ჯგუფი უპირატესად ღირსსაცნობია მისი სიახლოვით ქართულ ფოლკლორთან, აგრეთვე ჯგუფის ლიდერის სიმონ ჩიქოვანის მიერ დეკლარირებული ორკესტრული ლექსებით.

ლიტერატურული მისტიფიკაცია, როგორც მოდერნისტული პარადიგმა

ნაშრომში განხილულია ლიტერატურული მისტიფიკაციის ისტორია და თეორია, აგრეთვე XX საუკუნის ერთადერთი ქართული წარმატებული მისტიფიკაციის პაოლო იაშვილის „ელენე დარიანის დღიურების“ (1916-1924) მიზანდასახულობა.

მანანა კვატაია

კლასიკის მარადიულობის ენიგმური ალგორითმი

ნაშრომი ეძღვნება კლასიკური მემკვიდრეობის მარადიულობის ფენომენის კვლევას. მითითებულია, რომ ამ მიმართებით უმთავრესი ინდივიდუალობის საკითხია. ამავე დროს, განმსაზღვრელია ტრადიციაც. წერილში გაანალიზებულია გრიგოლ რობაქიძის ესეები, რომლებიც როგორც ქართული, ისე მსოფლიოს კლასიკური მწერლობის კვლევასა და გააზრებას ეხება

“ჩემი მეგობარი რაინჰოლდ ჩაკერტი”..

სტატიაში გამოყენებულია ავტორის მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში მიკვლეული უცნობი მასალები, რომლებიც ფარდას ხდის გრიგოლ რობაქიძის “მეგის” გერმანულ ენაზე მთარგმნელის რაინჰოლდ ჩაკერტის დღემდე უცნობ ტრაგიკულ ისტორიას, 1930-იანი წლების საქართველოს ინტელიგენციის მრწამსისა და საქმიანობის ამსახველ უცნობ დეტალებს

მსოფლმხედველობრივი ორიენტირების ძიებაში

ნაშრომი წარმოადგენს გერონტი ქიქოძის მსოფლმხედველობრივი ძიებების გრადაციისა და ტრანსფორმაციის პროცესს, აქვე განხილულია მწერლისა და პუბლიცისტის ის ოპუსები, რომლებიც ეროვნული ენერგიის პარადიგმის კვლევას ეძღვნება.

ჯაკ ლაკანი. „ფსიქოლოგია და მეტაფსიქოლოგია“ (სამეცნიერო თარგმანი)

ჟაკ ლაკანის “ფსიქოლოგია და მეტაფსიქოლოგია” ფრანგი ექიმის, ფსიქიატრისა მკვლევრის ერთ-ერთი სემინარის თემაა, რომელიც ორიგინალურად და სიღრმისეულად გაიაზრებს არაცნობიერის პრობლემატიკას

აკაკი წერეთლის ეპისტოლური Alter ego

სტატია განიხილავს ავტორის კონცეფციას და იკვლევს სხვადასხვა ხასიათის ტექსტების მნიშვნელობას მწერლის Alter ego-ს წვდომისათვის. კერძოდ, ამ მიზნით გაანალიზებულია აკაკი წერეთლის პირადი წერილები, რომლებიც მკითხველს დიდი პოეტის განსხვავებულ “მეორე მე”-ს წარმოუდგენს.

გრიგოლ რობაქიძე. „სტალინი, ვითარცა არიმანული ძალმოსილება“ (სამეცნიერო თარგმანი)

XX საუკუნის ენიგმური დიქტატორის იოსებ სტალინისადმი მიძღვნილი ეს ვრცელი ესე გამოქვეყნდა 1935 წელს იენაში გამოცემულ გრიგოლ რობაქიძის წიგნში “დემონი და მოთოსი”. ესეში ავტორი სრულიად განსხვავებულად გაიაზრებს სტალინის ფენომენს.

Pro et contra დასავლური აზროვნების ცენტრალური მაგისტრალისა

წერილი ეძღვნება მიგრაციული პროცესებისა და იდენტობათა ტრანსლაციის მიმართების საკითხებს. იგი მიმოიხილავს გერონტი ქიქოძისა და გრიგოლ რობაქიძის თეორიულ შეხედულებებს დასავლური აზროვნების ცენტრალურ მაგისტრალთან მათი დამოკიდებულების თვალსაზრისით.

ემზარ კვიტაიშვილი

სიბრძნესთან შეზავებული გამოცდილება

სტატიაში საუბარია გრიგოლ აბაშიძის პოეზიისა და მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ. წერილი ეძღვნება მწერლის დაბადებიდან 100 წლის იუბილეს, რომელიც გასულ წელს აღინიშნა.

შეიცნო ბუნების ენა

სტატია ეძღვნება ვაჟა ფშაველას გარდაცვალებიდან 100 წლისთავს. მასში განხილულია ვაჟას ირგვლივ არსებული ლიტერატურა და მისი პოეზიის ძირითადი მოტივები.

გოჩა კუჭუხიძე

პეტრე კაზანსკი. ეგვიპტელ მონაზონთა ცხოვრება I-IV საუკუნეები (თარგმანი წინასიტყვაობითა და შენიშვნებით)

ნაშრომის პირველ ნაწილში არის ცნობები ავტორის, წიგნისა და ეპოქის შესახებ, ასევე განმარტებულია ქრისტოლოგიური ტერმინები, თარგმანს კი ერთვის შენიშვნები, რომელშიც ნაწარმოების პრობლემატიკა და ტერმინოლოგიაა განმარტებული.

On a More Precise Definition of One Lexical Unit in the Gospel Translations

სტატიაშიგამოთქმულია მოსაზრება, რომ სახარების არაერთ თარგმანში არასწორად არისთარგმნილი ერთი ლექსიკური ერთეული. სწორი ფორმა შემონახულია ბერძნულკანონიკურ სახარებასა და მთაწმიდელებისეულ ქართულ თრგმანში.

დრო და სივრცე „წმიდა ნინოს ცხოვრების“ ერთ ეპიზოდში

წარმოდგენილ მასალებში ვრცლად არის განხილული დროისა და სივრცის შუა საუკუნეების გააზრების თავისებურებანი... ნაჩვენებია, თუ რა მიმართებაშია ეს თავისებურებანი თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურასთან...

ორი შრე „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში

გამოთქმულია ვარაუდი, რომ ”ვეფხისტყაოსნის” პროლოგში გამოიყოფა ორი შრე... ერთ-ერთი, შესაძლოა, მოგვიანო პერიოდისა იყოს...

ინგა მილორავა

„ლიბერალიზმის ქართული ველი”

მიმოიხილავს ქართულ მხატვრულ აზროვნებაში ლიბერალური იდეების შემოსვლისა და დამკვიდრების გზებს, სირთულეებსა და შედეგებს. იმ პროცესებს, რომლებიც განვითარდა მე–19 საუკუნის ქართულ საზოგადოებრივ და მხატვრულ აზროვნებაში, აგრეთვე იმ ნაშორმებს, რომლებიც ამ პრობლემებს მიეძღვნა და წიგნს, „ქართული ლიბერალიზმი”.

„ზღვის სივრცული მოდელი მოდერნისტულ ტექსტში”

წარმოადგენს ზღვის მოდელს, რომელიც ქართული ლიტერატურისთვის ნაკლებად დამახასიათებელია, თუმცა საკმაოდ ღრმად დამუშავდა მოდერნისტულ მწერლობაში და თავის თავში მოიცავს და სივრცული მოდელის სახეობრივ სისტემაში გამოხატავს მოდერნისტული აზროვნების ფუნდამენტურ დებულებებს: სამყარო ზმანებისა და ცხადის მიჯნაზე; სიკვდილი, როგორც ესთეტიური ფენომენი, შეჩერებული დროის საყრდენი და ა. შ.

„საზღვრისიქითა ქალაქების“ ათინათები (გუჩა კვარაცხელიას პოეტური კრებული „ათინათები“)

წერილში გაანალიზებულია პოეტ გუჩა კვარაცხელიას ახალ კრებულ „ანარეკლებში“ თავმოყრილი ლექსები. წარმოდგენილია თანამედროვე სალიტერატურო პროცესში პოეტის თვითმყოფადი მხატვრული სამყაროს ადგილი და მნიშვნელობა. წარმოჩენილია მისი შემოქმედების ძირითადი ნიშნები და თავისებურებანი.

გიორგი ერისთავი

სტატიაში წარმოჩენილი გიორგი ერისთავის მრავალმხრივი ღვაწლი ქართული კულტურის წინაშე, როგორც ქართული თეატრის დამაარსებლის, ერთ-ერთი პირველი კომედიოგრაფისა და

მწერლის, ვის სახელსაც უკავშირდება ქართული რეალიზმის წარმოშობა.

ნონა კუპრეიშვილი

ვახტანგ კოტეტიშვილი

წერილში წარმოდგენილია ქართული ლიტერატურის მკვლევრის, კრიტიკოსის, საზოგადო მოღვაწის, ვახტანგ კოტეტიშვილის სტატია „სიძველის ბალასტი“, რომელსაც ახლავს მისი ლიტერატურული პორტრეტი. ვახტანგ კოტეტიშვილი ძირითადად ცნობილია, როგორც გამორჩეული ფოლკლორისტი, ნაკლებად, როგორც მისი თანადროული ლიტერატურული პროცესების ანალიტიკოსი და შემფასებელი. 20-იანი წლების ქართულ პრესაში გაბნეული წერილების რეპუბლიკაციით განზრახულია ამ ნაკლოვანების აღმოფხვრა. წერილი „ვახტანგ კოტეტიშვილი“ სწორედ ამ კრებულის წინასიტყვაობას წარმოადგენს.

საით შენ, მწერალო?

ეძღვნება ქართული პოსტმოდერნისტული მწერლობის, შეიძლება ასეც ითქვას, მემარცხენე ავანგარდიზმის ერთ-ერთ წარმომადგენელს პოეტს, პროზაიკოსსა და არტკრიტიკოსს, შოთა იათაშვილს. წერილში ძირითადად განხილულია შ. იათაშვილის ლიტერატურული წერილები, რომელთა ჭრილში საუბარია ქართული პოსტმოდერნიზმის, მისი უახლესი ისტორიისა და ახლო მომავლის პერსპექტივებზე. დამოწმებულია რიგი ევროპელი ავტორები (ვ. შმიდტი, ი. კრისტევა, ჟ. რუო), რომლებიც სხვადასხვა მიზეზებით დეცენტრირებული სამყაროს მხატვრული მოდელირების მიღწეული შედეგების გადახედვის აუცილებლობაზე საუბრობენ. წერილის მიზანია, ამ მიგნებებთან შოთა იათაშვილის დამოკიდებულების ხარისხის დადგენა.

თამარ შარაბიძე

სატირა და იუმორი აკაკი წერეთლის პროზაში

სტატიაში საუბარია სატირის თემატიკაზე აკაკის პროზაში და მხატვრულ სატირულ ხერხებზე;

სატირა და იუმორი აკაკი წერეთლის პოეზიაში

სტატიაში განხილილია და თემატურად დაჯგუფებულია აკაკის სატირული პოეზია, გამოყოფილია მხატვრული ხერხები, რომელთაც პოეტი პოეზიაში იყენებს;

ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრების ბოლო წელი

სტატიაში აღწერილია პოეტის მოღვაწეობა ნახჭევანსა და განჯაში.

ლიტერატურული პორტრეტები გიორგი ერისთავის „ცისკრის“ ფურცლებზე

სტატიაში მიმოხილულია გიორგი ერისთავის ჟურნალ „ცისკრის“ ლიტერატურული ველი, ავტორები, რომლებიც იბეჭდებოდნენ პირველ ლიტერატურულ ჟურნალში, ჟურნალის ლიტერატურული პოლიტიკა, მასალის შერჩევა და ტენდენციები, ასევე ჟურნალის როლი იმდროინდელ ქართულ კულტურაში.

თამაზ ვასაძე

ქართული რეალიზმის წარმოშობა

სტატია ეხება XIX საუკუნის 40-50-იან წლებს, კერძოდ იმ სოციალ-პოლიტიკურ გარემოს და კულტურულ სივრცეს, რომელშიც დასაბამი აიღო ქართულმა რეალიზმმა, გაანალიზებულია ქართული რეალიზმის ზოგადი სახე მის საწყის ეტაპზე.

თამარ ციციშვილი

ზურაბ ანტონოვი

გიორგი ერისთავის მოწაფეებმა ქართველ დრამატურგთა მთელი სკოლა შექმნეს. მათ შორის, უპირველ ყოვლისა, გამოვარჩევთ ზურაბ ანტონოვს, ავტორს დღემდე პოპულარული კომედიისა

„მზის დაბნელება საქართველოში". ახალბედა ავტორმა შეძლო, რომ ყველა მისი პიესა ახლებური მიგნებებისა და არჩევანის ორიგინალურობით გამორჩეულიყო. შემოქმედებით პორტრეტში დეტალურადაა გაანალიზებული ანტონოვის ბიოგრაფია და მისი დრამატურგიული მოღვაწეობა;

ბარბარე ჯორჯაძე

ქალისა და დედის სიმბოლიკა ძალზე ძლიერია ქართულ კულტურაში, ლიტერატურასა და ფოლკლორში. ცხადია, რომ ეს დამოკიდებულება საჭირო დროს რეალურ კონტურებს შეიძენდა და ეს დროც დადგა. მე 19 საუკუნეში ერთ-ერთი პირველი მწერალი ქალი ბარბარე ჯორჯაძე იყო. ნარკვევში შესწავლილი და გაანალიზებულია მწერალი ქალის მხატვრული, დრამატული და კრიტიკული ტექსტები.

ჰანს რობერტ იაუსი „ლიტერატურის ისტორია, როგორც ლიტერატურის თეორიის გამოწვევა"

ცნობილი მეცნიერის ჰანს რობერტ იაუსის წერილის ლიტერატურული ტრადიცია და მოდერნულობის თანამედროვე გაგება – თარგმანი. წერილი ეხება მოლოდინის ჰორიზონტების რეკონსტრუქციას, რომლის საფუძველზეც იქმნებოდა და აღიქმებოდა ესა თუ ის ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც გვეხმარება გავაცნობიეროთ, რა საკითხებს პასუხობდა თავდაპირველად ტექსტი.

ზოია ცხადაია

ტერენტი გრანელის პოეზიის ძირითადი ასპექტები

ნაშრომი მოიცავს ტ. გრანელის პოეზიის როგორც თემატურ, ისე მხატვრულ-ესთეტიკურ ასპექტებს; მასზე არსებული ზოგი მცდარი მოსაზრების გათვალისწინებით, ახლებურადაა გააზრებული გრანელის შემოქმედების საკითხები.

პარტორგანიზაცია – მწერლობაზე იდეური კონტროლის სტრატეგი

ნაშრომი გაგრძელებაა „ლიტერატურულ ძიებანში" 2014 წელს დაბეჭდილი მასალისა, რომელიც ეხებოდა შსს არქივში მოპოვებულ ფაქტებს; მეორე ნაწილში მოცემულია 1938-1941 წლების სურათი, მნიშვნელოვანი დეტალები ამ წლების პარტიული კრებების ოქმებიდან, როგორც ფაქტები კონიუნქტურული ზეწოლისა.

დადეშქელიანების ამბავი

განხილულია მწერალ თემურ ამყოლაძის ახალი ისტორიული რომანი „დადეშქელიანების ამბავი", რომელშიც უამრავი ფაქტობრივი მასალაა თავმოყრილი და მხატვრულად გააზრებული, XIX საუკუნის საქართველოს, კერძოდ, სვანეთის ისტორია, რომელიც ყველაზე შეუვალი აღმოჩნდა რუსული პოლიტიკისათვის.

ეს უკიდეგანო სირცხვილი

სტატიაში განხილულია აფხაზი მწერლის დაურ ნაჭყებიას აფხაზურ ენაზე 2010 წელს გამოცემული რომანი „ღამის ნაპირი", რომელიც ითარგმნა ქართულ ენაზე. რომანში რეალისტურადაა გადმოცემული აფხაზეთის ომის ტრაგედია.

მაკა ჯოხაძე

„იცხოვრე სამ დროში"

სტატიაში წარმოჩენილია პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანის ღვაწლი და დამსახურება ქართული პოეზიის წინაშე, გამოკვეთილია მისი ლირიკის ზოგადი სახე. ასევე საუბარია მისი ოჯახის წევრთა იმ ღვაწლზე, რაც მათ ქართული კულტურის, კერძოდ კი მუსიკის განვითარების ისტორიაში შეიტანეს. წერილი ერთი ოჯახის სამი თაობის შესახებ მოგვითხრობს.

ირინა ნაცვლიშვილი

წმინდა ნინოს ღვაწლის სახისმეტყველური ასახვისათვის თხზულების „მოქცევაი ქართლისაი“ ერთ კონტექსტში

ქართული სულიერების ისტორიაში გამორჩეული სახელია წმ. ნინო, ამიტომ მისი ცხოვრება შუასაუკუნეების მწერლობის სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებული სტრუქტურული ფორმით წარმოჩინდა. სტატიაში განხილულია X-XIV საუკუნეების ხელნაწერის, მაგრამ გაცილებით ადრეული ტექსტის, „მოქცევაი ქართლისაის“ სახისმეტყველური ასპექტები.

ისტორიული ტრადიცია XX საუკუნის ქართული სიტორიული რომანის კონტექსტში

ისტორიული რომანი ქართულ ლიტერატურაში XX საუკუნის დასაწყისიდან იწყებს ჩამოყალიბებას, საუკუნის შუაწლებში კი იგი საბოლოოდ იღებს დახვეწილ სახეს. ამის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია გრიგოლ აბაშიძის „ლაშარელა“, რომლის ფაბულას წარმოადგენს ჟამთააღმწერლის ისტორიაში მოთხრობილი ნარატივი ლაშა-გიორგის მეფობის შესახებ. სტატიაში წარმოჩენილია სწორედ ის ასპექტები, რომელიც ისტორიული ნარატივის ახალ ჟანრად, ისტორიულ რომანად გარდასახვისას შეიმჩნევა.

მანანა შამილიშვილი

„მელოდრამატული მედიაკულტურის“ ქართული პარადიგმები

სტატიაში გაანალიზებულია თანამედროვე სამყაროში ესოდენ გავრცელებული ტელეპროდუქტის – ტელესერიალების – როლი და გავლენა როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ისე კულტურის განვითარებაზე, ტელესერიალი გააზრებულია, როგორც ფართო მასაზე ფარული ზეგავლენის მოხდენის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება.

1918-21 წლების ქართული პარტიული პრესის ლიტერატურულ-პუბლიცისტური ინტერესები

სტატიაში მოცემულია 1918-1921 წლების ქართული პარტიული პრესის შესწავლის შედეგები, რის საფუძველზეც გაანალიზდა პარტიული პრესის ლიტერატურულ-პუბლიცისტური ვექტორი, გამოიკვეთა ტენდენცია, რომელი პოეტები იბეჭდებიან უფრო ხშირად ამა თუ იმ გაზეთის ფურცლებზე და რაზე მიანიშნებს ეს არჩევანი.

პოლიტიკური სიმბოლო ქართულ ვიზუალურ მედიაენაში

თანამედროვე გობალურ სამყაროში ძალაუფლებისთვის ბრძოლა სიმბოლოებისა და ნიშნებისთვის ბრძოლის გზაზე გადის, წინამდებარე ნაშრომიც ამის შესწავლის საჭიროების გამო შეიქმნა. მასში გაანალიზებულია თანამედროვე ქართული პოლიტიკური პროცესების სიმბოლურ-ალეგორიული ენა, პოლიტიკურ პარტიათა ნიშნებში გამოხატული მიზანი და სტრატეგია, ეს ყველაფერი კი მსოფლიო პოლიტიკურ პროცესების ჭრილშია განხილული.

საბა-ფირუზ მეტრეველი

უნივერსალური თამაშის პროფესია

სტატიაში შესწავლილია თამაშის ფენომენი ხელოვნებაში, ზოგადად, კულტურაში. თამაში, როგორც არსებობის ფორმა, მოიცავს სამ კატეგორიას: 1. ბავშვის თამაში (ილუზიის სინამდვილე); 2. ნიღბების თამაში (სოციალური ფსიქოლოგიის პრობლემა); 3. პროფესიული თამაში (თავისუფალი ფანტაზიის დამოუკიდებელი ნაყოფი). ნაშრომში ეს უკანასკნელი განხილულია სამსახიობო ხელოვნების ფონზე;

ზეცისა და პოეზიის წრმენა

სტატიაში აქცენტირებულია ტერენტი გრანელის დამოკიდებულება სიკვდილის მიმართ, გამოყოფილია ეტაპები მასთან შეგუებისა და დამეგობრებისა, სიკვდილის შიში ძლევისა, ასევე, გამოკვეთილია სავარაუდო ორიენტირები იმ მესამე გზისა („არა სიცოცხლე, არცა სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა“), რომლისკენაც ასე ისწრაფვოდა პოეტი.

თამაშის ხელოვნება

4	**ნ.გონჯილაშვილი**	„ნათლის სვეტის პარადიგმული სახისმეტყველება გ.ლეონიძის შემოქმედებაში, ჟურ. ენა და კულტურა,			
	თანაავტორი ი. სანიკიძე	„ნათლის სვეტის“ სიმბოლო ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შემოქმედებაში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის – „ენა და კულტურა“ – შრომები	შრომები III	თბილისი, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	
		„ნათლის სვეტი“ – სიმბოლო სულიერი ნათლისა და XXს-ის ქართული მწერლობა. IX საერთაშორისო სიმპოზიუმის – ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები –მასალები	2015, IX		
		„ნათლის სვეტის“ პარადიგმული სახისმეტყველება ნიკოლოზ გულაბერისძის „საკითხავსა“ და „საგალობელში“, წელიწდეული (გადაცემულია დასაბეჭდად)	2015, №		
		„ნათლის სვეტის“ პარადიგმული სახისმეტყველება „ვეფხისტყაოსანში“ (XII-XVIII ს.-ის ქართული მწერლობის განხილვის კონტექსტში), რუსთველოლოგია (გადაცემულია დასაბეჭდად)	2015, VII		7-28
6.		გზის სიმბოლოს გააზრებისათვის „ვეფხისტყაოსანში“ (მითოსის, რელიგიის, ფილოსოფიისა და ლიტერატურის განხილვის	2015, XXXVI		

		კონტექსტში, ნაწილი I), ლიტერატურული ძიებანი (გადაცემულია დასაბეჭდად)			
	თანაავტორი ნ.სულავა	წმ.მარიამ მაგდალინელის ხატ-სახის ინტერპრეტაციისათვის ქრისტიანულ ტრადიციაში, ჟურნ. გულანი	2015, №16	ახალციხე, გამომცემლობა „ახალციხის უნივერსიტეტი“	გვ.49-76.
	თანაავტორი ნ.სულავა	წმ.მარიამ მაგდალინელის ხატ-სახის ინტერპრეტაციისათვის ქრისტიანულ ტრადიციაში (წმ.მარიამ მაგდალინელის პიროვნების არასწორი ინტერპრეტაციის გამო: წყაროთმცოდნეობითი კვლევა), ჟურნ. ანალები	2015, №11	თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“	გვ. 270-332
5	**ლია წერეთელი**	„ვეფხისტყაოსნის ინდოეთი“, „რუსთველოლოგია“	VII	თბილისი, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	206-223
		„ვეფხისტყაოსნის ხატაეთი“- გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი.	7-8	ქუთაისი, გამომცემლობა „ინტელექტი“	
6	**ოქტაი ქაზუმოვი**	„ვეფხისტყაოსნის მუსლიმური ნაკადის კრიტიკის ზოგიერთი ასპექტისათვის", `რუსთველოლოგია“	VII	თბილისი, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	95-114

ანოტაციები

ივანე ამირხანაშვილი

„აგიოგრაფიული ციტატა“

სტატიაში საუბარია ციტატაზე, როგორც აგიოგრაფიული კომპოზიციის ნაწილზე. მკვლევარის აზრით, ციტატა ჟანრის იმანენტური თვისებაა. ეს არის ფორმით სქემატური, შინაარსით პათეტიკური, იდეურად ამაღლებული ენა, რომელშიც მუდმივად თანაარსებობს თამაშის ელემენტი.

ციტატის გამოყენების ტრადიცია ამტკიცებს, რომ აგიოგრაფიაში ძირითადი მხატვრული ამოცანა ხორციელდება სიტყვის მეშვეობით, რომელიც ფასეულობათა სამყაროში გზის გაგნების ერთადერთ ინსტრუმენტად არის მიჩნეული.

ნანა გონჯილაშვილი

ნაშრომში – „ნათლის სვეტის“ პარადიგმული სახისმეტყველება გ.ლეონიძის შემოქმედებაში – დაძებნილი და შესწავლილია აღნიშნული პარადიგმის ნიმუშები გ.ლეონიძის მხატვრულ ნააზრევში. ლექსებში – „დავით აღმაშენებელს“ და „აკაკისადმი“ – გამორჩეულ პიროვნებათა მიმართ მოხმობილი „საქართველოს სვეტი“ და „ნათელში მდგარი სვეტი“ ბიბლიურ არქეტიპის („ცეცხლის სვეტისა“ და „ღრუბლის სვეტის“) შინაარსითაა გასააზრებელი; ლექსი „სვეტიცხოველი“ კი მრავალგვარი წაკითხვის შესაძლებლობას ქმნის. მასში შესაძლოა, მითოსური, ქრისტიანული თუ საკუთრივ მხატვრული განსახოვნების ნაკადები იგულისხმებოდეს.

ნაშრომში – „ნათლის სვეტის“ პარადიგმა „ვეფხისტყაოსანში“ (XII-XVIII ს.ს-ის ქართული მწერლობის თხზულებათა განხილვის კონტექსტში) – შეძლებისდაგვარად დაძებნილი და შესწავლილია ზემოაღნიშნულ ეპოქათა მწერლობის ნიმუშებში მოხმობილი „ნათლის სვეტის“ პარადიგმა, წარმოჩენილია მათი მიმართებები ბიბლიურ არქეტიპებთან, გამოვლენილია მათი თავისებურებები, ახლებური გააზრებები და ინტერპრეტაციების ცდები. აღნიშნულია, რომ „ნათლის სვეტის“ პარადიგმა ქრისტიანობის სიმბოლო და ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეალების გამომხატველია. იგი ისტორიული პირისა და გამონაგონი პერსონაჟის პიროვნული სრულყოფილების საჩვენებლადაა მოხმობილი და ამასთანავე, ორპლანიანი დატვირთვის მქონეა.

ნაშრომში – „ნათლის სვეტი“ – სიმბოლო სულიერი ნათლისა და XX ს-ის ქართული მწერლობა – შეძლებისდაგვარად, დაძებნილი და წარმოჩენილია „ნათლის სვეტის“ პარადიგმა XX ს-ის ქართველ მწერალთა (გ. ტაბიძის, ტ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, ნ. სამადაშვილის, ა. კალანდაძის, ი. ნონეშვილის) შემოქმედებაში; შესწავლილი და განხილულია აღნიშნული პარადიგმის სახისმეტყველება, წარმოჩენილია მისი მიმართებანი ბიბლიურ არქეტიპებთან, გამოვლენილია თავისებურებები, ახლებური გააზრებები და ინტერპრეტაციების ცდანი. თხზულებათა ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი – რიგ შემთხვევებში „ნათლის სვეტის“ პარადიგმა ტრადიციულია და იგი უფლის მყოფობის ნიშან-სვეტია, ღვთაებრიობის სიმბოლო და სახე-იდეა; „ნათლის სვეტის“ იგივე „სვეტი-ცხოვლის“ პარადიგმა ღვთაებრივი სიწმინდის, ღვთაებრივი მადლის გადმოსვლის ნიშან-სვეტია, რომელიც პოეტს ზეაღმსწრაფი სულიერებით მსჭვალავს და უხილავ გრძნობა-განცდებთან აზიარებს; „ნათლის სვეტის“ პარადიგმა ქრისტიანობის სიმბოლო და ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეალების გამომხატველია. „ნათლის სვეტის“ ამგვარი გააზრება გარკვეულწილად ბიბლიურ პარადიგმას მიჰყვება და კიდევ ერთხელ გამოკვეთს აზრს, რომ სამშობლოსათვის შეწირულ ერისშვილთა სიცოცხლე ღვთივკურთხეულია და რომ „ნათლის სვეტის“ თავჩენისათვის დრო-სივრცული ზღვარი არ არსებობს. ზოგიერთი შემოქმედის მიერ გამორჩეული პიროვნების „ნათლის სვეტის“ სახექმნადობით წარმოდგენა განსხვავდება აგიოგრაფთა განსახოვნებისგან და ამგვარი გააზრებით იგი რუსთაველის შემოქმედებას უკავშირდება. გარკვეულ შემთხვევებში ქართველ მწერალთა შემოქმედებაში წარმოჩენილი „ნათლის სვეტი“ ერთობ რთული სახისმეტყველების მქონე სახე-სიმბოლოა, რომელიც ორპლანიან წაკითხვას ითხოვს – ჰორიზონტალურსა და ვერტიკალურს; ამასთანავე, ბიბლიურთან ერთად, შესაძლოა, მასში მითოსური, ქრისტიანული თუ საკუთრივ მხატვრული განსახოვნების ნაკადები იგულისხმებოდეს.

ნაშრომში, ამგვარ სახეთა კვლევისას, შეძლებისდაგვარად, გახსნილი და განმარტებულია მათი სიმბოლური მნიშვნელობები და საკითხთან დაკავშირებული

სხვადასხვა სავარაუდო მოსაზრება და მსჯელობაა წარმოდგენილი. თხზულებათა განხილვა კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ „ნათლის სვეტის“ სიმბოლო ქართული მწერლობის მუდმივად თანამდევი ფემომენია და იგი მრავალგვარი წაკითხვის შესაძლებლობას ქმნის.

ნაშრომში – „ნათლის სვეტის“ პარადიგმ აკაკი წერეთლის შემოქმედებაში – დაძებნილი და შესწავლილია ა. წერეთლის შემოქმედებაში აღნიშნული პარადიგმის განსახოვნებანი და ბიბლიური არქეტიპის სახისმეტყველებითი გარდასახვანი. ამ მიზნით განხილულია პოემა „თორნიკე ერისთავი“, რომელშიც „სვეტი-ცხოველის“ შინა-არსი ახალი ხედვითაა წარმოჩენილი – სიკეთე ნათლის სვეტადაა მიჩნეული; ლექსი – „სიზმარი“, რომელშიც „ნათლის სვეტი“ სიზმრად ნანახის ბოლოკეთილობის, თამარ მეფის სიტყვების დამოწმების სიმბოლოა; მოთხრობა – „ორი სიზმარი“, რომელშიც „ნათლის სვეტის“ პარადიგმის თავჩენა თეოფანიის მაუწყებელია. იგი „ჭეშმარიტების სვეტისა“ და „ცეცხლის სვეტის“ ბიბლიურ პარადიგმის კვალობაზეა გააზრებული; მოთხრობა – „ბაში-აჩუკი“, რომელშიც დაღუპულ გმირებთან „ნათლის სვეტის“ გამოჩენა უფლისგან მათი სიწმინდის დამამოწმებელია; ლექსი „შეყვარებული დემონი და ანგელოსი“, რომელშიც „ნათლის სვეტი“, „სხივის კიბე“ და მასზე გადმოსული ანგელოზი კოსმიურ იერარქიას განასახოვნებს და ბიბლიური სწავლების შესატყვისადაა მოწოდებული; ლექსი „ხატის წინ“, რომელშიც „ცის სვეტი“ პოეტის სულიერი ყოფის ნათლის სვეტად აღიქმება. სანთელი და მისი ნათელი მიემართება „ცის სვეტსა“ და ნათლის სვეტს, ორივე – თავად პოეტს. აკაკი „ნათლის სვეტის“ პარადიგმას ბიბლიური არქეტიპის შინაარსით და განსხვავებული ინტერპრეტაციითაც წარმოაჩენს.

ნაშრომში – „ნათლის სვეტის“ სიმბოლო ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შემოქმედებაში – დაძებნილი და შესწავლილია „ნათლის სვეტის“ სიმბოლო და მისი პარადიგმული სახისმეტყველება ილიასა და აკაკის თხზულებებში, წარმოჩენილია მათი ბიბლიური არქეტიპები, განხილულია მიმართებანი, გამოვლენილია ახალ სახექმნადობათა თავისებურებანი. მოძიებული და შესწავლილი მასალის საფუძველზე იკვეთება შემდეგი –

ილიას შემოქმედებაში „ნათლის სვეტი“, „სვეტი-ცხოველი“, ღვთისჩენის განსახოვნებაა. მზის სხივის სვეტი იგივე ნათლის სვეტია, ღვთისჩენის სასწაული, ღვთიური ნების გამოვლინება („განდეგილი“); „სვეტი ცხოველი“ ქართველთა სარწმუნოებრივ-ეროვნული იდეალების დედა-ბოძია, ჭეშმარიტებისა და სიბრძნის სვეტია, რომლის გაცხოველება, პოეტის აზრით, ქართველთა კვლავ აღყვავების, აღდგინების ნიშან-სვეტად წარმოდგება („აჩრდილი“).

აკაკის შემოქმედების მიხედვით, „ნათლის სვეტის“ სიმბოლო არაერთგზის ვლინდება, კერძოდ, პოემაში – „თორნიკე ერისთავი“ – სიკეთე „სვეტი-ცხოველია“, „სვეტი-ცხოველი“ უფლის ნიშან-სვეტია; შესაბამისად, სიკეთე უფლისმიერია და ღმერთი სახიერია. ამგვარად, ა. წერეთლის გააზრებით, ადამიანის მიერ ქრისტიანობის დიდებისათვის აღსრულებული კეთილი საქმე – „ქრისტიანობის სვეტიცხოველი“ – უფლისათვის გაღებული „ძღვენია“; ლექსში – „შეყვარებული დემონი და ანგელოსი“ – „სხივის კიბე“, ანუ „ზეციური კიბე“, მასზე „გადმოშვებული“ „ფრთებელვარე“ ანგელოზი და ნათლის სვეტი – კოსმიურ იერარქიას გულისხმობს და ბიბლიურ პარადიგმათა შესატყვისადაა მოწოდებული; ლექსში – „ხატის წინ“ – „ცის სვეტი“ სიმყარის, უძრაობა-მდგრადობის მნიშვნელობითაა მოხმობილი და პოეტი მას, ლექსის შინა-არსის კვალობაზე, თავის ფსიქო-სომატურ მდგომარეობას შეამსგავსებს. ეს „ცის სვეტი“, პოეტის ფიზიკური ყოფის შესატყვისი, ამავდროულად მისი სულიერი ყოფის ნათლის სვეტად აღიქმება; ლექსში – „სიზმარი“ – ნათლის სვეტისა და ცისარტყელას განსახოვნებათა ურთიერთშერწყმა „ტრადიციულ“ ღვთისმეტყველებას ეფუძნება (ბიბლიის კვალობაზე ღვთის აღთქმის

დამამოწმებელი სიმბოლოა და რომელიც „სიზმარში“ თამარ მეფის სიტყვათა დამამოწმებელია). „ნათლის სვეტად“ გადმოშვებული ცისარტყელა თითქოს სიზმრად ნანახის ბოლოკეთილობის, თამარის სიტყვების დამოწმების სიმბოლოა, იმავდროულად – სიზმრის დასრულების სიმბოლო. ნათლის სვეტად გადმოსული ცისარტყელა რეალურსა და ირეალურს შორის ერთგვარი ზღვარია, მიწიერისა და ზეციურის გამყოფი მიჯნაა, რომლის ჩამოსვეტება-განფენა სიზმრად ნანახის ღვთაებრივთან წილნაყარობის, მისი დიდების შარავანდედთან ზიარების მაჩვენებელია; მოთხრობაში – „ორი სიზმარი –„ნათლის სვეტის“ თავჩენა თეოფანიის მაუწყებელია. ა. წერეთლის მიერ მოხმობილი „ნათლის სვეტი“ „ჭეშმარიტების სვეტის“ და „ცეცხლის სვეტის“ ბიბლიურ პარადიგმათა კვალობაზეა გააზრებული – „მზე სიმართლისა“ აღმობრწყინდება და თავის მორწმუნეთ „ნათლის სვეტით“ განანათლებს, ურწმუნოთ და ცოდვილთ (ისრაელთა მდევნელ ეგვიპტელთა მსგავსად) კი „ცეცხლის სვეტით წარწყმედს; მოთხრობაში – „ბაში-აჩუკი“ – უფალი ნათლის სვეტის ჩენით ამოწმებს, რომ მეომრები მისი წმინდანები არიან. „ნათლის სვეტის“ პარადიგმის ამგვარი გააზრება, რომელიც ზემოგანხილულ აგიოგრაფიულ თხზულებებში არაერთგზისაა გამოვლენილი, ბიბლიურ არქეტიპის შინა-არსითაა მოწოდებული.

სტატიაში - **წმ.მარიამ მაგდალინელის ხატ-სახის ინტერპრეტაციისათვის ქრისტიანულ ტრადიციაში** - განხილული და მოკლედაა წარმოდგენილი წმ. მარიამ მაგდალინელის ხატ-სახე ქრისტიანულ ტრადიციაში, რომელზე დაკვირვებამაც აჩვენა, რომ მისი პიროვნების მიმართ მართლმადიდებლურ და კათოლიკურ ეკლესიებში დიდი ხნის მანძილზე სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება არსებობდა. ნაშრომი წყაროთმცოდნეობითი ხასიათისაა, მასში მოძიებულია ქართულ და უცხოურ წყაროებში დაცული ცნობები წმ. მარიამ მაგდალინელის შესახებ და მიღებულია დასკვნა, რომ ქართულ ორიგინალურ და ნათარგმნ ეგზეგეტიკურ თხზულებებში, ქადაგებებსა და საგალობლებში წმ. მარიამ მაგდალინელის სახელის ევანგელური მონათხრობის მიხედვით წარმოდგენა-განსახოვნება, კათოლიკეთა შეხედულების საპირისპიროდ, სრულიად დაცლილია ამორალობისაგან და მაგდალინელის პიროვნება სახარების არც ერთ სხვა ქალთან არაა გაიგივებული. წმ. მარიამ მაგდალინელის შესახებ მცდარი შეხედულება მეოთხე საუკუნიდან განვითარდა, მეექვსე საუკუნიდან კი გრიგოლ რომის პაპის მიერ გამოთქმულმა თვალსაზრისმა, რომელშიც მისი სახე აღრეულია წმ. მარიამ მეგვიპტელის სახესთან, იგი კიდევ უფრო განამტკიცა და მხოლოდ მეოცე საუკუნეში, 1969 წლიდან გასწორდა, თუმცა, უმართებულო შეხედულება სამეცნიერო ლიტერატურასა და მხატვრულ ლიტერატურაში მაინც გამოითქმის.

ლია კარიჭაშვილი

„ლეკვი ლომისა სწორია...“ სოციალური თუ ეთიკური კონტექსტი

არა მხოლოდ რუსთველოლოგთა, მკითხველთა ფართო წრის ინტერესს ყოველთვის იწვევდა „ვეფხისტყაოსნის“ ტაეპი - “ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“. ხშირად ტაეპის შინაარსს თანამედროვე საზოგადოებრივ პრობლემებს მოარგებენ ხოლმე და ყურადღების მიღმა რჩება ის ეპოქა ან თუნდაც კონტექსტი, რომლის გათვალისწინების გარეშე ფრაზა თავის რეალურ შინაარსს მოწყვეტილია.

აღნიშნული ტაეპის თანამედროვე ინტერპრეტაციები ძირითადად ასეთია: მას უკავშირებენ გენდერული თანასწორობის იდეას, ან ფიქრობენ, რომ ტაეპში საუბარია მეფის შვილთა, ვაჟისა და ქალის, უფლებრივ თანასწორობაზე. ორივე მოსაზრების არგუმენტები მყიფეა და ავტორთა მსჯელობა თავადვე მოიცავს ალოგიზმებს.

ჩვენ შევისწავლეთ აღნიშნული ტაეპის კვლევის ისტორია, სხვადასხვა

განმარტებები რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში და გამოვთქვით თვალსაზრისი, რომ აფორიზმის მართებულად გაგებისათვის აუცილებელია რამდენიმე საკითხის შესწავლა: 1.იდენტურია თუ არა ცნებები "ქალი" და "დიაცი" პოემაში? 2.ჩანს თუ არა სიუჟეტის მიხედვით ქალისა და კაცის თანასწორობა რაიმე ნიშნით (სოციალური, მორალური ...)? 3. რას ნიშნავს "ლომი" მოცემულ ტაეპში და ზოგადად პოემაში რა მხატვრული ფუნქცია აქვს მას? 4.როგორია კონტექსტი საკვლევი ტაეპისა?

ამ საკითხების შესწავლამ მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ **ლომი კეთილშობილ, გამორჩეულ, მეფური თვისებების ადამიანს გულისხმობს, ხოლო ლეკვი, როგორც მომავალი ლომი, ეწოდება მემკვიდრეს, თუ ის ამ ღირსებათა მატარებელია, ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, ქალია თუ ვაჟი.** აქ აქცენტირებულია პიროვნული რანგი (ან არსებითი, თვისებრივი მსგავსება მშობელთან) და არა სქესი. ამ მეტაფორას ერთგვარად ესადაგება რუსთაველის მიერ სხვა ეპიზოდში ნათქვამი: "მსგავსი ყველაი მსგავსსა შობს, ესე ბრძენთაგან თქმულია" (1323,4) გამოდის, რომ ვაზირები მეფეს ეუბნებიან: თინათინი შენი არა მხოლოდ ბიოლოგიური მემკვიდრეა, არამედ ღირსებათა მემკვიდრეც არის. შენი მსგავსია. სწორედ ამ ნიშნით თანაბარია ის მამაკაცთან.
ნაშრომში მოხმობილია "ლომის" მხატვრული სახის მსგავსი შინაარსით გამოყენების შემთხვევები ან შინაარსობრივი ანალოგიები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, მეტი საფუძველი არსებობს იმისათვის, რომ ტაეპი, „ლეკვი ლომის სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია", მოიაზრებოდეს არა გენდერული თანასწორობის იდეის შემცველად, ან მეფის შვილების თანაბარუფლებიანობის ხაზგასმად, არამედ ეთიკური კონტექსტის მქონე მეტაფორად, რომელშიც განზოგადებულია იდეა: ლომის (გამორჩეული, ღირსეული პიროვნების) ლეკვი (ღირსებათა მემკვიდრე) ლომია, მიუხედავად იმისა, ძუ (ქალი) არის თუ ხვადი (ვაჟი).

„ვეფხისტყაოსნის" სახისმეტყველებითი პერსპექტივები გალაკტიონთან (რამდენიმე ასპექტი)

ნაშრომში შესწავლილია გალაკტიონის შემოქმედებითი მიმართება „ვეფხისტყაოსანთან". წარმოდგენილია ის რუსთველური სახისმეტყველების ნიმუშები, რომელთაც გალაკტიონის შემოქმედებაში ვხვდებით. ამ ნიმუშთა შორის არის ვეფხის ტყავი, როგორც მეტაფორა და სიმბოლო; ვარდი, რომელიც ხშირად ლირიკული გმირის სულიერ მდგომარეობას გამოხატავს და, აგრეთვე, საღვთისმეტყველო შინაარსიც აქვს. გალაკტიონის არაერთი ლექსის თუ პოემის გმირია შთაგონებული „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟთა მხატვრული სახეებით. საყურადღებოა თვით რუსთაველის სახეც.
გალაკტიონისთვის ცხადია რუსთველისეული ჰარმონიული, დაუნაწევრებელი სამყაროს მთლიანობის არსი, საღვთოსა და მიწიერის მიმართება, როგორც ერთი მთლიანობის სხვადასხვა საფეხურისა. საღვთო მიჯნურობა პოემის ერთ–ერთი უმთავრესი თემაა და აგრეთვე უმნიშვნელოვანესია გალაკტიონთან.
„ვეფხისტყაოსანს" გალაკტიონი რუსთაველის ოცნებად აღიქვამს. ეს არის ოცნება უმაღლეს ადამიანურ ფასეულობებზე, სიყვარულსა და ერთგულებაზე.
ნაშრომში ასევე განხილულია, როგორ აღიქმება სამეცნიერო ლიტერატურაში გალაკტიონისეული ცნება „ახალი რუსთაველი", რომელიც განახლებული, აღორძინებული საქართველოს ხატს უკავშირდება.
თვალსაჩინოა გალაკტიონის სიახლოვე რუსთაველთან პოეტური ენის, სინტაქსური კონსტრუქციების, სიტყვაქმნადობისა და ბგერწერის თვალსაზრისით. და ბოლოს მისი დიდი ინტერესის საილუსტრაციოდ რუსთველოლოგიისადმი, მოთხრობილია როგორ

ეძებდა იგი პოემის ერთ–ერთ ხელნაწერს „ნიქოზის ვეფხისტყაოსანს“.

ეთიკური რეალიები „ვეფხისტყაოსანში“
(რამდენიმე ასპექტი)

ნაშრომში განხილულია რუსთაველის ეთიკურ კონცეფციასთან დაკავშირებული რეალიები „ვეფხისტყაოსნიდან“. რუსთველოლოგიაში მიღებული თვალსაზრისით, რუსთაველის ეთიკური სისტემა ეყრდნობა ერთი მხრივ ეროვნულ ზნეობას, რომელიც არსებითად (არა სრულიად) განმსჭვალულია ქრისტიანული მორალით, ხოლო მეორე მხრივ, არისტოტელეს ნააზრევს ეთიკის პრობლემებზე. რუსთაველის ეთიკური მრწამსის სიახლოვე არისტოტელეს ნააზრევთან პოემის რენესანსული ტენდენციის ერთ-ერთ ნიშნად მიიჩნევა.

არისტოტელეს მიერ განხილულ ცნებათა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა მეგობრობა: „მეგობრობის უმაღლესი ფორმა არსებობს კარგ ადამიანებს შორის, რომლებიც ერთმანეთს ჰგვანან სათნოებით,“ „მეგობრობა არის თანასწორობა, რაც ყველაზე მეტად კარგ ადამიანებს ახასიათებთ.“ მეგობრობა თანასწორობასა და მსგავსებაში მდგომარეობს.

„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა მეგობრობა სწორედ ამ საფუძვლებს ეყრდნობა: პიროვნული სრულყოფა („კარგი ადამიანები“), სიკეთის სურვილი, თანასწორობა და მსგავსება. რუსთაველისთვის განუყოფელია მეგობრობა და სიყვარული. პერსონაჟები საკუთარ თავს ხედავენ ერთმანეთში, ამიტომაც მეყსეულად ხდება მათი ურთიერთშეცნობა. ამ თვალსაზრისით განხილულია მთავარ პერსონაჟთა შეხვედრების ეპიზოდები.

არისტოტელეს აზრით, სათნოების მიზანია ზნეობრივი მშვენიერება. სიკეთე და მშვენიერება მისთვის ერთი მთლიანობაა. რუსთაველის ეთიკური კრედო აგრეთვე მჭიდრო კავშირშია ესთეტიკასთან. ზნეობრიობა, სულიერი სათნოებები ამავე დროს ესთეტიკურია და მშვენიერების გამსაზღვრელ ფაქტორებად გვევლინება. ეთიკურისა და ესთეტიკურის მთლიანობით რუსთაველი, ცხადია, ეხმიანება არისტოტელეს ზემონახსენებ დებულებას და, ამავე დროს, აგრძელებს სასულიერო მწერლობის ტენდენციას, რომლის მიხედვით მშვენიერებას განსაზღვრავს სულიერი სათნოებანი.

რუსთაველის მხატვრულ სამყაროში მშვენიერებას უკავშირდება სიყვარული, მეგობრობა, სიუხვე, სამართლიანობა, სიმამაცე, ღირსეული სიკვდილი... რუსთაველისთვის უპირველესად თვითონ ადამიანია ესთეტიკური ფენომენი იმდენად, რამდენადაც იგი ზნესრულია.

ნაშრომში განხილულია რაინდთა, მიჯნურთა, ვაჭართა ზნეობრივი სახეები, აგრეთვე მსჯელობა ეხება ხვარაზმშას ძისა და ჭაშნაგირის მკვლელობებს, რომლებიც მიუღებელია ქრისტიანული ეთიკისთვის. გამოტანილია დასკვნა, რომ რუსთაველის ეთიკური კონცეფცია, როგორც სიუჟეტის განვითარების, ისე პერსონაჟთა მხატვრულ სახეთა დონეზე, არსებითად ქრისტიანულია. იგი მნიშვნელოვნად თანხვდება არისტოტელეს ნააზრევს ეთიკის პრობლემებზე. პერსონაჟის ზნეობა გარკვეულწილად განპირობებულია მისივე მსოფლმხედველობით, სოციალური ნიშნულით, უმთავრესად კი ინდივიდუალური მახასიათებლებით. ზნეობა რუსთაველისთვის პიროვნული ფენომენია.

„ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველებითი პერსპექტივები გიორგი ლეონიძის შემოქმედებაში“

აშრომის შესავალ ნაწილში მიმოხილულია გიორგი ლეონიძის ღვაწლი რუსთველოლოგიაში. მის შრომათა შორის ძველი ქართული ლიტერატურის საკითხებზე განსაკუთრებული ადგილი ეთმობა საქართველოს მთავარმართებლის, მიხეილ ვორონცოვის, არქივში აღმოჩენილ ვეფხისტყაოსნის XVII საუკუნის ხელნაწერს, რომელსაც თვითონ ზაზასეული უწოდა. გამოკვლევა „ვეფხისტყაოსნის ახალი

ხელნაწერი" თავისი მრავალმხრივობით, მეთოდოლოგიითა და დასკვნებით ფილოლოგიური კვლევის ნიმუშად მიიჩნევა. გიორგი ლეონიძე იყო ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის წევრი. მან წარმოდგინა საანგარიშო მოხსენება „მეცნიერება საბჭოთა საქართველოში 40 წლის მანძილზე", რომელშიც მიმოიხილა ლიტერატურათმცოდნეობის დარგში ჩატარებული სამეცნიერო მუშაობა და დიდი ყურადღება დაუთმო რუსთველოლოგიის მიღწევებს იმ ეტაპზე. ნაშრომში შესწავლილია გიორგი ლეონიძის ის ლექსები, რომლებიც შთაგონებულია რუსთაველით და ვეფხისტყაოსნით. ჩანს პოემის მოტივები, ალუზიები თუ რემინისცენციები. ასეთებია: „რუსთაველს", „ვეფხისტყაოსანს", „შენ საქართველოს სიტურფევ", მეტივეები", ამოდის მთვარე", „ჩემი ბაღი", „თოვლა", „წინაპართა შემოხედვანი", ცივწყარო", „მცხეთური ელეგია", „მუხის ფოთოლი", „ძველი ქართული წარწერები", „ილია ჭავჭავაძის არჩდილს", „ჩარგალში", „საქართველოში", „ძველი ქართული წარწერები" და სხვა. ყურადღება გამახვილებულია ვეფხის სიმბოლოზე, როგორც პოემაში, ისე ლეონიძის შემოქმედებაში. ცალკე განხილულია რუსთველური სიტყვაწარმოების ანალოგიები.
იონა ხელაშვილის ბიოგრაფიიდან

ნაშრომში წარმოჩენილია იონა ხელაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის

მნიშვნელოვანი ეპიზოდები, აგრეთვე მისი ურთიერთობა სულიერ შვილთან და მოწაფესთან - სოლომონ დოდაშვილთან, ყურადღება გამახვილებულია იონას დამოკიდებულებაზე 1832 წლის შეთქმულებისადმი. ნაშრომი ეყრდნობა დავით კარიჭაშვილის არქივში დაცულ მასალას.

ლია წერეთელი
„ვეფხისტყაოსნის ინდოეთი"

ნაშრომში შესწავლილია ვეფხისტყაოსნის გეოგრაფია შუასაუკუნეების კარტოგრაფიული რუკების ფონზე. ინდოეთის საზრისი „ფსალმუნებში", „წმინდა ნინოს ცხოვრებასა" და „ქართლის ცხოვრებაში", გრაალის ლეგენდებსა და ზღაპრებში.

მოხმობილი მასალისა და ანალიზის მიხედვით, ნათელია, რომ „ვეფხისტყაოსნის" ინდოეთი რუსთაველს მოაზრებული აქვს ქვეყნიერების შუა საუკუნეთა კარტოგრაფიული ხატის გათვალისწინებით. ინდოეთის სულიერი საზრისი თანხვდება ძველ მწერლობაში და მითოლოგიურ გადმოცემებში სამოთხისებურ ყოფასა და ცხოვრების ხის ბიბლიურ საზრისს. ინდოეთს აკისრია სამყაროში ღვთაებრივი წესრიგის დამყარებისა და სამარადისო მეუფების ტახტის აღდგენის ფუნქცია.

„ვეფხისტყაოსნის" ხატაეთი

ნაშრომში გაანალიზებულია სხვადასხვა მოსაზრება ხატაეთის შესახებ. მეცნიერთა ერთი ნაწილი ჩინეთად მიიჩნევს ხატაეთს, სხვანი-თურქისტანად. ხატაელებთან ომი სამართლიანად ან პოლიტიკურად გაუმართლებლად არის მიჩნეული.

სათანადო კვლევისა და ანალიზის შემდგომ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ხატაეთი „ვეფხისტყაოსანში" ჩინეთს განასახიერებს და თურქული დინასტიის მმართველობის გამო ხატაელები მოიხსენიებიან თურქებად. ჩინელებს რუსთველი არ

უწოდებს ხატაელებს. „ხატაური“ ჩინურ აბრეშუმსა და ძვირფას ქსოვილს ესადაგება. ინდო-ხატაელთა ომის პოლიტიკური სამართლიანობა განისაზღვრება არა დაპყრობილი და დამპყრობელი სახელმწიფოს ზოგადი სამართლინობის კანონით, არამედ თავად მეფის ქმედებითა და ღვთის წინაშე სარკედ გადაშლილი გულის სიმართლით. თავად რუსთველი ასე ძერწავს მეფის ხატ-სახეს.

ოქტაი ქაზუმოვი

„ვეფხისტყაოსნის მუსლიმური ნაკადის კრიტიკის ზოგიერთი ასპექტისათვის"

ნაშრომის თემაა „ვეფხისტყაოსნის“ მუსლიმური ნაკადის ანალიზი და მასთან დაკავშირებული კრიტიკული მოსაზრებები რუსთველოლგიურ ლიტერატურაში. ავტორის აზრით, რუსთაველის მიზანს სრულებითაც არ წარმოადგენს ისლამის უარყოფა ან თუნდაც მისი მიზანმიმართული ქადაგება-პროპაგანდა და ამდენად, ქართველ მეცნიერთა არგუმენტები შესანაცვლებელია სხვა უფრო მყარი მტკიცებულებებით, რომლებიც ვითარებას უფრო ობიექტურად წარმოაჩენენ, რადგან:

1) როგორც გამოირკვა, ქართველი მეცნიერები ჯეროვნად არ იცნობენ მუსლიმურ რელიგიას, თეოლოგიასა და ფილოსოფიას; ამდენად მათ არგუმენტებს, მოყვანილს ისლამისგან მოაზრებული ღმერთის თვისებებსა და ბუნებასთან დაკავშირებით, რუსთველოლოგია აღმოსავლური სამყაროს მიმართულებით კვლევის ასპექტში არასწორი მიმართულებით მიჰყავს.

2)ქართველი მეცნიერების მიერ პოემიდან მოყვანილ არცერთ მაგალითსა და არგუმენტში არ ჩანს ისლამის არც უგულებელყოფა და, მით უმეტეს, არც „სარკაზმი და „ირონია“ მის მიმართ.

3)ჩანს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ გმირების არამუსლიმობის დამტკიცება მხოლოდ ღვინის სმის გამო მყარი მეცნიერული არგუმენტი არ არის, რადგან აღმოსავლურ საგმირო თუ სამიჯნურო ეპოსებში უხვადაა საამისო მაგალითები.

4)„ავთანდილის ლოცვა“ არაფრით არ ეწინააღმდეგება ისლამს და იმის მომიზეზებით რომ იგი არ ჰგავს მუსლიმურ სარიტუალო ლოცვას, ვერ დავამტკიცებთ ავთანდილის რწმენისგან (ისლამისგან) განდგომილობას და მის ქრისტიანობას მხოლოდ ამაზე ვერ ავაგებთ.

1	მაკა ელბაქიძე	უმბერტო ეკო. ესთეტიკური აღქმის ასპექტები შუასაუკუნეებში (თარგმანი კომენტარებით)	ჟურნალი “სჯანი”. 2015. № 16	თბილისი, ლიტინსტიტუტის გამომცემლობა	გვ.110-122
2	მაკა ელბაქიძე	იოზეფ როთი და ბიბლიური ტრადიცია. მე-9 საერთაშორისო სიმპოზიუმის “ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა” - მასალები	2015 წ.	თბილისი. ლიტინსტიტუტის გამომცემლობა.	(იბეჭდება)
3	მაკა ელბაქიძე	ტანსაცმლის სოციოკულტურული და რიტუალურ-სიმბოლური	საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესის მასალები. თ.I	თბილისი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული	გვ. 47

		ფუნქციისათვის შუასაუკუნეების მწერლობაში (“ვეფხისტყაოსნისა” და ევროპულ;ი რაინდული რომანის მაგალითზე)		აკადემიის გამომცემლობა	
4	მაკა ელბაქიძე	“ვეფხისტყაოსნის” ახალი ინგლისური თარგმანის გამოსვლის გამო	“ლიტერატურული ძიებანი” № 36, 2015	თბილისი ლიტინსტიტუტის გამომცემლობა.	(იბეჭდება)

ანოტაციები ქართულ ენაზე

იოზეფ როთი და ბიბლიური ტრადიცია

“თანამედროვეობა იმით განსხვავდება წარსულისგან, რომ ის აღიქვამს წარსულს ისეთი სიცხადით და ისეთ ასპექტში, რომელიც თვით ამ წარსულისთვის მიუწვდომელია”, – წერდა თომას ელიოტი 1919 წელს გამოქვეყნებულ ესეში “ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა”. აქედან გამომდინარე, ყველა მწერალი “ტრადიციულია”, რაც იმას ნიშნავს, რომ ლიტერატურული შემოქმედება, გარკვეულწილად, წარსულის არქეოლოგიურ რეკონსტრუქციასაც გულისხმობს. მე-19 საუკუნის მიწურულს ავსტრია-უნგრეთის პერიფერიაზე დაბადებული იოზეფ როთისთვის, ალბათ, ძალზე ძნელი იყო საკუთარი კულტურული ფესვების ძიება. სამი განსხვავებული კულტურის (ებრაული, ავსტრიული, რუსული) “გზაჯვარედინზე” მყოფ მწერალს ბედმა კიდევ ერთი გზასაყარის პირისპირ დგომა არგუნა წილად. 1919 წელს დაინგრა იმპერია და როთმა, ისევე როგორც ათასობით მისმა თანამემამულემ, დაკარგა მოქალაქეობა, ნაციონალური კუთვნილება, სამშობლო და თავისი შორეული წინაპრების მსგავსად “სამუდამო მოხეტიალედ” იქცა. მომავალმა მწერალმა, რომელმაც უდიდესი ნებისყოფის წყალობით შეძლო, გამკლავებოდა სიღატაკეს, მიეღო სრულყოფილი განათლება ევროპის ერთ-ერთ წამყვან უნივერსიტეტში, 3-4 წელიწადში მიაღწია იმას, რასაც ზოგჯერ ათწლეულები სჭირდება – აღიარებას, მკითხველისა და კრიტიკის კეთილგანწყობას, მატერიალურ კეთილდღეობას, ოჯახურ ჰარმონიას. მიუხედავად იმისა, რომ პატივმოყვარეობა უცხო იყო ამ თავმდაბალი და კეთილშობილი ადამიანისთვის, რომელიც უშურველად გასცემდა და სანაცვლოდ არაფერს ითხოვდა, მისი კეთილდღეობა, ბიბლიური იობისა არ იყოს, ერთი ხელის მოსმით დაინგრა (ცოლის მძიმე ავადმყოფობა, ევროპის თავზე აღმართული ნაციზმის აჩრდილი, ისევ უსამშობლობა, ისევ ხეტიალი, ლოთობის სენი). აწმყო მისთვის სასტიკი და დაუნდობელი აღმოჩნდა, ამიტომ მწერალმა დროებით “დაივიწყა” თანადროული საჭირბოროტო პრობლემები და “ტრადიციულ”, სამარადისო თემებს მიმართა. წერალი “უბრუნდება” თავის პირვანდელ ფესვებს, ბიბლიას და ძველი აღთქმის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული “პერსონაჟის” კვალობაზე ქმნის “ახალ იობს”, ტანჯვაში გამოტარებული რწმენის სიდიადის კიდევ ერთ განსახოვნებას. ეს რომანი კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ მწერალს თავის გმირებზე არანაკლებ სჭირდება ნუგეშისცემა, პოეტური გამონაგონის ზემოქმედებით იმ შინაგანი საყრდენის მოპოვება, რომელსაც ადამიანს ანიჭებს მითი, უტოპია, ურყევობის რწმენა.

ტანსაცმლის სოციოკულტურული და რიტუალურ-სიმბოლური ფუნქციისთვის შუასაუკუნეების მწერლობაში
(“ვეფხისტყაოსნისა” და ევროპული რაინდული რომანის მაგალითზე)

ტანსაცმლის ტარებისა და საკვების მიღების ეტიკეტს ნებისმიერი ცივილიზებული საზოგადოების კულტურაში უმნიშვნელოვანესი ადგილი განეკუთვნება. ამ თვალსაზრისით გამოირჩევა შუასაუკუნეები, რომელსაც პირობითად “რიტუალიზირებული ეპოქა” შეიძლება ვუწოდოთ. ტანისამოსს, “სოციალური ცხოვრების ამ სიმბოლურ ჟესტს” (ლე გოფი), ფასეულობათა სისტემაში უმნიშვნელოვანესი ადგილი ეჭირა. ტანსაცმელი არა მარტო

ათბობდა ან ამშვენებდა შუასაუკუნეების ადამიანს, არამედ მიჩეული იყო პიროვნების სოციალური სტატუსის განმსაზღვრელ უმთავრეს კრიტერიუმად.

ტანსაცმლის ტარების ეტიკეტის როლის შესწავლა ისევე მნიშვნელოვანია ხელოვნებასა და ლიტერატურაში, როგორც სოციალურ პრაქტიკაში, ვინაიდან ლიტერატურულ ძეგლებში ამ ეტიკეტით განისაზღვრებოდა არა მარტო პერსონაჟთა საზოგადოებრივი მდგომარეობა, არამედ ხდებოდა გარკვეული სიუჟეტური სვლების სიმბოლიზირება და ნარატივის მნიშვნელოვანი მომენტების აქცენტირება.

ევროპულ რაინდულ რომანში, ისევე როგორც ვეფხისტყაოსანში, ტანისამოსს აქვს როგორც სოციოკულტურული და სოციოპროფესიონალური, ისე რიტუალურ-სიმბოლური ფუნქცია. შესაბამისად: ა) მისი საშუალებით ხდება პიროვნების (ამ შემთხვევაში პერსონაჟის) იდენტიფიცირება საზოგადოებაში, მისი სოციალური სტატუსისა და როლის ხაზგასმა; ბ) ის (ძვირფასეულობასთან ერთად) გვევლინება ფეოდალური საზოგადოების უმთავრესი პრინციპის – ჩუქება-ბოძების – უცილობელ ატრიბუტად; გ) სიმბოლურად ასახავს ფეოდალური საზოგადოებისთვის დამახასიათებელ გარკვეულ რიტუალურ თუ საწესჩვეულებო ნორმებს; დ) მთელ რიგ შემთხვევებში ტანსაცმლის სიმბოლიკას აქვს არა იმდენად წმინდა ეთნოგრაფიულ-რიტუალური, რამდენადაც მხატვრულ-ესთეტიკური დატვირთვა.

შუასაუკუნეების რაინდულ რომანს კურტუაზიულთან ერთად ავანტიურულსაც უწოდებენ, ვინაიდან ნარატივის მნიშვნელოვანი ნაწილი საკარო ცივილიზაციისგან მოშორებით, ე.წ. "სხვის სივრცეში" (ველური ტყე, ზღვა და ა.შ) ვითარდება. ნარატივში ავანტურული ელემენტის შემოტანასთან ერთად სამოსის ტარების კოდექსი მინიმალურ როლს ასრულებს. სხვაგვარად შეუძლებელიცაა, რადგან მოქმედება აქ ვითარდება ტყეში, ე.წ. ველურ გარემოში, სადაც რაინდს ელის ნამდვილი განსაცდელი, სადაც არ არსებობს საჭიროება სამოსის ტარების წესების დაცვისა და ძვირფასი ტანისამოსის დემონსტრირებისა. ტყეში უმთავრეს მნიშვნელობას იძენს მეომრის/მონადირის სამოსელი.

ხეტიალი/ძიების მოტივის ამოწურვის შემდგომ მოქმედება უბრუნდება საწყის წერტილს (სენიორის კარი), რომელიც პროტაგონისტისთვის ფამილიარულთან ერთად კომფორტულ (ცივილიზებულ) გარემოში დაბრუნებას მოასწავებს. შესაბამისად, ნარატივის ამ მონაკვეთში საპარადო სამოსის დემონსტრირებას, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში ჩუქება-ბოძების მოტივთანაა გადაჯაჭვული, მოსდევს ე.წ. გასტრონომიული აპოთეოზი, თავისებური დეკლარირება საკარო ცივილიზაციისთვის დამახასიათებელი ფუფუნებისა.

"ვეფხისტყაოსნის" ახალი ინგლისური თარგმანის გამოსვლის გამო

სტატიაში საუბარია ამერიკელი მთარგმნელისა და მწერლის, ლინ კოფინის მიერ განხორციელებულ "ვეფხისტყაოსნის" ინგლისურენოვან თარგმანზე.

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**მარიამ კარბელაშვილი**	Goethe's Weltliteratur in Retrospective Global Political Problems before		Cambridge Scholars Publishing Ltd	გადაცემულია დასაბეჭდად

		Globalization: Rustaveli_Cretien_Wolfram			
2	ანა გონჯილაშვილი (თანაავტორი თ. შარაბიძე)	„ვეფხისტყაოსნის“ შ. ნუცუბიძის რუსული პოეტური თარგმანის ისტორია და სტალინი“, „მაპრიალის“ საერთაშორისო ასოციაციის XIII კონგრესის – „რუსული ენა და ლიტერატურა მსოფლიო კულტურის სივრცეში“.		გრანადა, ესპანეთი	გადაცემულია დასაბეჭდად

ანოტაციები ქართულ ენაზე

ნანა გონჯილაშვილი „ვეფხისტყაოსნის“ შ. ნუცუბიძის რუსული პოეტური თარგმანის ისტორია და სტალინი“,

ნაშრომში სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით და შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული მასალებისა და წყაროების საფუძველზე შესწავლილი და წარმოჩენილია „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ პოეტურ თარგმანზე შ.ნუცუბიძის მუშაობის პროცესი, სტალინის როლი და მონაწილეობა პოემის აღნიშნული თარგმანის გამოცემაში, მიზეზები აღნიშნული თარგმანის შესრულებისა.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მაკა ელბაქიძე	Medieval Georgian Romance by Shota Rustaveli in the Context of European Chivalry Romance. კრებ. Literature in an Intercultural Perspective		Venezia: Koper 2015	გვ. 129-154

ანოტაციები ქართულ ენაზე

Medieval Georgian Romance by Shota Rustaveli in the Context of European Chivalry Romance.

სტატიაში გამოკვეთილია, რომ *ვეფხისტყაოსნის* სტრუქტურულ-კომპოზიციური ორგანიზება, იდეურ-თემატური მოტივები და კომპოზიციური ელემენტები საკმაო მსგავსებას ამჟღავნებს ჟანრთან, რომელსაც ევროპული და ამერიკული ლიტერატურათმცოდნეობა Romance-ს სახელით იცნობს. მიუხედავად ამისა, უცილობლად უნდა აღინიშნოს, რომ ***ვეფხისტყაოსანი* არ არის შუასაუკუნეების რაინდული რომანის (მით უფრო, კურტუაზული ლიტერატურის) ტიპური ნიმუში.** თხზულებაში გვხვდება მთელი რიგი სპეციფიკური მხარეები, რომლებიც ჟანრის განვითარების გაცილებით მაღალ დონეზე მიგვანიშნებს. ესენია: ვეფხისტყაოსნის სტრუქტურული თავისებურება, პერსონაჟთა ხატვის რუსთველისეული მანერა, ალეგორიული პლანის რეალური პლანით შეცვლა და ა.შ. ამ

ფაქტორთა გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ *ვეფხისტყაოსანი* ჟანრობრივი თვალსაზრისით არის შუასაუკუნეების რაინდული რომანი (Romance), რომელიც ე.წ. "გარდამავალი დროში" (გვიანდელი შუასაუკუნეები/რენესანსი) განახლებული კონსტრუქციის, გამომსახველობითი ფორმებისა (ნარატივის პლასტიკურობა და მრავალპლანიანობა) თუ კონცეპტუალური პრინციპების კვალობაზე ჟანრის გრადაციის ახალ ეტაპად, მის მაღალგანვითარებულ ფორმად უნდა მივიჩნიოთ.

სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**ივანე ამირხანაშვილი**	„აგიოგრაფიული ნაწარმოების ავტორი"	24. 09. 2015 ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტისა და შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მე-9 საერთაშორისო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები."
		„შაბლონი და სტილი ძველ ქართულ პროზაში"	12. 11. 2015 საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტისა და საქართველოს საპატრიარქოს მიერ მოწყობილი I საერთაშორისო კონგრესი „ქართველოლოგიის პრობლემები და პერსპექტივები". 23-25 სექტემბერი, თბილისი, 2015. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტისა და შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მე-9 საერთაშორისო სიმპოზიუმი„ლიტერატურათმ ცოდნეობის თანამედროვე პრობლემები."

			ქუთაისი, 25-27 ოქტომბერი, III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციია – „ენა და კულტურა“ 2015 წ. 21-23 ივნისი. თბილისი, თსუ, აკაკი წერეთლის დაბადებიდან 175 და გარდაცვალებიდან 100 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, 2015, 23-25 სექტემბერი; თბილისი, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, IX საერთაშორისო სიმპოზიუმი, „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები, 19 დეკემბერი, 2015; თბილისი, თსუ, ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების 170 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 23-25 სექტემბერი, თბილისი, 2015. ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, მე-9 საერთაშორისო სიმპოზიუმი, ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები, ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა,
2	**მარიამ კარბელაშვილი**	ქართული კვალი ვოლფრამ ფონ ეშენბახის „პარციფალში”.	
3	**ნანა გონჯილაშვილი** (თანაავტორი ი. სანიკიძე)	„ნათლის სვეტის“ სიმბოლო ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შემოქმედებაში	
		„ნათლის სვეტის“ პარადიგმა აკაკი წერეთლის შემოქმედებაში	
		ნათლის სვეტი“ – სიმბოლო	

		სულიერი ნათლისა და XX ს-ის ქართული მწერლობა	
		ღიმილი, როგორც სიამოვნების ფიზიკური გამოხატულების, მხატვრული სახე შუა საუკუნეების ქართულ საერო ლიტერატურაში	
3	**ლია კარიჭაშვილი**	აკაკი წერეთლის „ქებათა-ქება“ (სიმბოლო და ინტერტექსტი)	
		„ძიების მოტივი - ბიბლიური პარადიგმა აკაკი წერეთლის ლექსში „სულიკო“	22-25 ივნ. 2015. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „აკაკი წერეთელი და მისი ეპოქა“ .
		La langue de Rustaveli – la conception du monde du poete; le symbole de l`unite et de l`identite nationale.	30. 08. 2015- 04. 09. 2015. თბილისი. ენა და ტერიტორია 2, თეზისები, საერთაშორისო კონფერენცია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
		ეთიკური რეალიები ვეფხისტყაოსანში	2015 წლის 21 ოქტომბერი. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, პირველი სამეცნიერო კონფერენცია.
		მთავარ პერსონაჟთა შეხვედრები („ვეფხისტყაოსანი“, „ ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“)	2015 წლის 23 ოქტომბერი. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. ვაჟა-ფშაველას გადარცვალების 100 და დიდუბიდან მთაწმინდაზე გადასვენების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია.
		დავით კარიჭაშვილის სამეცნიერო ღვაწლი (ზოგიერთი ასპექტი)	17 ნოემბერი, 2015. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი ჰუმანიტარული ფაკულტეტი, ისტორიისა და

			არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი, დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის დაბადებიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო კონფერენციერენცია,
4.	**ლია წერეთელი**	„ მენტალობის ორი მოდელი აკაკის „ჩემი თავგადასავლის“ მიხედვით“	22-25 ივნ. 2015. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „აკაკი წერეთელი და მისი ეპოქა“
5	**ოქტაი ქაზუმოვი**	„ვეფხისტყაოსნის მუსლიმური ნაკადის კრიტიკის ზოგიერთი ასპექტისათვის"	27. 11. 2015. ბაქო; აზერბაიჯანის რესპუბლიკის განათლების სამინისტროს, ბაქოს სლავისტიკის უნივერსიტეტისა და აზერბაიჯანის კომპარატივისტული ლიტერატურის ასოციაციის ეგიდით გამართული მე-6 საერთაშორისო კონფერენცია„შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა და კულტურა“

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

ივანე ამირხანაშვილი

„აგიოგრაფიული ნაწარმოების ავტორი“

ნაშრომი მიზნად ისახავს პასუხი გაეცეს კითხვებს: ვინ არის აგიოგრაფიული ნაწარმოების ავტორი - უბრალოდ, მწერალი თუ განგების ნებით არჩეული პიროვნება? თვითონ ირჩევს იგი თემას თუ თემა ირჩევს მას?

„შაბლონი და სტილი ძველ ქართულ პროზაში“

აგიოგრაფიის ჟანრი გამოირჩევა მკვეთრად გამოხატული კანონიკური ხასიათით. ავტორი ზედმიწევნით ზუსტად იცავსწერის იდეურ, სტილისტიკურ, სტრუქტურულ და საღვთისმეტყველო ნორმებს. ნაწარმოებს აქვს მკვეთრად განსაზღვრული კომპოზიციური სქემა; გამოკვეთილია ტოპიკა. გამოყენებულია ბიბლიის სტრუქტურულ-შინაარსობრივი რეალიები. კანონი ქმნის შაბლონს, რომლის გამოყენება ავტორისათვის სავალდებულოა. ამასთანავე, ტროპული მეტყველების სისტემური გამოყენება ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ ჩამოყალიბდეს სტილი, როგორც ასეთი.

მარიამ კარბელაშვილი

ცნობილია, რომ წმინდა გრაალი ვოლფრამ ვონ ეშენბახისის პარადიგმაში ტრადიციისგან განსხვავებით არა ევქარისტიის სახით, არამედ ძვირფასი ქვის, აპის ეხილის-ის სახით არის წარმოდგენილი, რომლის გენეზისი დღემდე არ არის გარკვეული. სპეციალურ ლიტერატურაში აპის ეხილის-ისი შემდეგნაირად არის განმარტებული: იგი მსგავსად ევქარისტიის თასისა უხვად გასცემს საკვებს. საიდან აიღო ეშენბახმა ეს ძვირფასი ქვა? ა.ნ. ვესელოვსკის წიგნში „Сказания о Соломоне и Китоврасе и западные легенды о Морольфе и Мерлине" მოჰყავს ციტატა ლათინურ ენაზე არსებული ნაწარმოებიდან მდიდარ ქალბატონთან დაკავშირებით. ამ ეპიზოდში მდიდარი ქალბატონის მსახურებს ეუბნებიან: მოახსენეთ თქვენს ქალბატონს, რომ ჩვენ გვაქვს ძალიან ძვირფასი თვალი, რომელიც ადამიანს საუკუნო შვებას აძლევს, ოღონდ მას ყველა ვერ იყიდის, მისი მოპოვება შეუძლია მხოლოდ ძალიან წმინდა სულიერი ცხოვრებით მცხოვრებ ადამიანს.

განათლებული ქართველი მკითხველი რა თქმა უნდა მიხვდება, რომ ეს „ბალავარიანი" უნდა იყოს, რომელიც შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში ძალიან პოპულარული იყო. ექვთიმე მთაწმინდელის მიერ ბერძნულ ენაზე თარგმნილი „ამბავი ვარლაამისა და იოსაფისა", ე.ი. „ბალავარიანი", რომელიც მალევე ითარგმნა ლათინურად, დიდი პოპულარობით სარგებლობდა მთელი შუა საუკუნეების მანძილზე დასავლეთ ევროპაში. ვფიქრობ, სწორედ ექვთიმე მთაწმინდელის მიერ თარგმნილი ეს თხზულება გახდა ვოლფრამ ფონ ეშენბახისთვის წყარო წმინდა გრაალის ევქარისტიის თასის წმინდა გრაალად გადააზრებისა.

ნანა გონჯილაშვილი

ნაშრომში – „ნათლის სვეტის" სიმბოლო ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შემოქმედებაში – დაძებნილი და შესწავლილია „ნათლის სვეტის" სიმბოლო და მისი პარადიგმული სახისმეტყველება ილიასა და აკაკის თხზულებებში, წარმოჩენილია მათი ბიბლიური არქეტიპები, განხილულია მიმართებანი, გამოვლენილია ახალ სახექმნადობათა თავისებურებანი. მოძიებული და შესწავლილი მასალის საფუძველზე იკვეთება შემდეგი –

ილიას შემოქმედებაში „ნათლის სვეტი", „სვეტი-ცხოველი", ღვთისჩენის განსახოვნებაა. მზის სხივის სვეტი იგივე ნათლის სვეტია, ღვთისჩენის სასწაული, ღვთიური ნების გამოვლინება („განდეგილი"); „სვეტი ცხოველი" ქართველთა სარწმუნოებრივ-ეროვნული იდეალების დედა-ბოძია, ჭეშმარიტებისა და სიბრძნის სვეტია, რომლის გაცხოველება, პოეტის აზრით, ქართველთა კვლავ აღყვავების, აღდგინების ნიშან-სვეტად წარმოდგება („აჩრდილი").

აკაკის შემოქმედების მიხედვით, „ნათლის სვეტის" სიმბოლო არაერთგზის ვლინდება, კერძოდ, პოემაში – „თორნიკე ერისთავი" – სიკეთე „სვეტი-ცხოველია", „სვეტი-ცხოველი" უფლის ნიშან-სვეტია; შესაბამისად, სიკეთე უფლისმიერია და ღმერთი სახიერია. ამგვარად, ა. წერეთლის გააზრებით, ადამიანის მიერ ქრისტიანობის დიდებისათვის აღსრულებული კეთილი საქმე – „ქრისტიანობის სვეტიცხოველი" – უფლისათვის გაღებული „ძღვენია"; ლექსში – „შეყვარებული დემონი და ანგელოსი" – „სხივის კიბე", ანუ „ზეციური კიბე", მასზე „გადმოშვებული" „ფრთებელვარე" ანგელოზი და ნათლის სვეტი – კოსმიურ იერარქიას გულისხმობს და ბიბლიურ პარადიგმათა შესატყვისადაა მოწოდებული; ლექსში – „ხატის წინ" – „ცის სვეტი" სიმყარის, უძრაობა-მდგრადობის მნიშვნელობითაა მოხმობილი და პოეტი მას, ლექსის შინა-არსის კვალობაზე, თავის ფსიქო-სომატურ მდგომარეობას

შეამსგავსებს. ეს „ცის სვეტი“, პოეტის ფიზიკური ყოფის შესატყვისი, ამავდროულად მისი სულიერი ყოფის ნათლის სვეტად აღიქმება; ლექსში – „სიზმარი“ – ნათლის სვეტისა და ცისარტყელას განსახოვნებათა ურთიერთშერწყმა „ტრადიციულ“ ღვთისმეტყველებას ეფუძნება (ბიბლიის კვალობაზე ღვთის აღთქმის დამამოწმებელი სიმბოლოა და რომელიც „სიზმარში“ თამარ მეფის სიტყვათა დამამოწმებელია). „ნათლის სვეტათ“ გადმოშვებული ცისარტყელა თითქოს სიზმრად ნანახის ბოლოკეთილობის, თამარის სიტყვების დამოწმების სიმბოლოა, იმავდროულად – სიზმრის დასრულების სიმბოლო. ნათლის სვეტად გადმოსული ცისარტყელა რეალურსა და ირეალურს შორის ერთგვარი ზღვარია, მიწიერისა და ზეციურის გამყოფი მიჯნაა, რომლის ჩამოსვეტება-განფენა სიზმრად ნანახის ღვთაებრივთან წილნაყარობის, მისი დიდების შარავანდედთან ზიარების მაჩვენებელია; მოთხრობაში – „ორი სიზმარი –„ნათლის სვეტის“ თავჩენა თეოფანიის მაუწყებელია. ა. წერეთლის მიერ მოხმობილი „ნათლის სვეტი“ „ჭეშმარიტების სვეტის“ და „ცეცხლის სვეტის“ ბიბლიურ პარადიგმათა კვალობაზეა გააზრებული – „მზე სიმართლისა“ აღმობრწყინდება და თავის მორწმუნეთ „ნათლის სვეტით“ განანათლებს, ურწმუნოთ და ცოდვილთ (ისრაელთა მდევნელ ეგვიპტელთა მსგავსად) კი „ცეცხლის სვეტით წარწყმედს; მოთხრობაში – „ბაში-აჩუკი“ – უფალი ნათლის სვეტის ჩენით ამოწმებს, რომ მეომრები მისი წმინდანები არიან. „ნათლის სვეტის“ პარადიგმის ამგვარი გააზრება, რომელიც ზემოგანხილულ აგიოგრაფიულ თხზულებებში არაერთგზისაა გამოვლენილი, ბიბლიურ არქეტიპის შინა-არსითაა მოწოდებული.

ნაშრომში – „ნათლის სვეტის“ პარადიგმა აკაკი წერეთლის შემოქმედებაში – დაძებნილი და შესწავლილია ა. წერეთლის შემოქმედებაში აღნიშნული პარადიგმის განსახოვნებანი და ბიბლიური არქეტიპის სახისმეტყველებითი გარდასახვანი. ამ მიზნით განხილულია პოემა „თორნიკე ერისთავი“, რომელშიც „სვეტი-ცხოველის“ შინა-არსი ახალი ხედვითაა წარმოჩენილი – სიკეთე ნათლის სვეტადაა მიჩნეული; ლექსი – „სიზმარი“, რომელშიც „ნათლის სვეტი“ სიზმრად ნანახის ბოლოკეთილობის, თამარ მეფის სიტყვების დამოწმების სიმბოლოა; მოთხრობა – „ორი სიზმარი“, რომელშიც „ნათლის სვეტის“ პარადიგმის თავჩენა თეოფანიის მაუწყებელია. იგი „ჭეშმარიტების სვეტისა“ და „ცეცხლის სვეტის“ ბიბლიურ პარადიგმის კვალობაზეა გააზრებული; მოთხრობა – „ბაში-აჩუკი“, რომელშიც დაღუპულ გმირებთან „ნათლის სვეტის“ გამოჩენა უფლისგან მათი სიწმინდის დამამოწმებელია; ლექსი „შეყვარებული დემონი და ანგელოსი“, რომელშიც „ნათლის სვეტი“, „სხივის კიბე“ და მასზე გადმოსული ანგელოზი კოსმიურ იერარქიას განასახოვნებს და ბიბლიური სწავლების შესატყვისადაა მოწოდებული; ლექსი „ხატის წინ“, რომელშიც „ცის სვეტი“ პოეტის სულიერი ყოფის ნათლის სვეტად აღიქმება. სანთელი და მისი ნათელი მიემართება „ცის სვეტსა“ და ნათლის სვეტს, ორივე – თავად პოეტს. აკაკი „ნათლის სვეტის“ პარადიგმას ბიბლიური არქეტიპის შინაარსით და განსხვავებული ინტერპრეტაციითაც წარმოაჩენს.

ნაშრომში – „ნათლის სვეტი“ – სიმბოლო სულიერი ნათლისა და XX ს-ის ქართული მწერლობა – შეძლებისდაგვარად, დაძებნილი და წარმოჩენილია „ნათლის სვეტის“ პარადიგმა XX ს-ის ქართველ მწერალთა (გ. ტაბიძის, ტ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, ნ. სამადაშვილის, ა. კალანდაძის, ი. ნონეშვილის) შემოქმედებაში; შესწავლილი და განხილულია აღნიშნული პარადიგმის სახისმეტყველება, წარმოჩენილია მისი მიმართებანი ბიბლიურ არქეტიპებთან, გამოვლენილია თავისებურებები, ახლებური გააზრებები და ინტერპრეტაციების ცდანი. თხზულებათა ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი – რიგ შემთხვევებში „ნათლის სვეტის“ პარადიგმა ტრადიციულია და იგი უფლის მყოფობის ნიშან-სვეტია, ღვთაებრიობის სიმბოლო და სახე-იდეა; „ნათლის სვეტის“ იგივე „სვეტი-ცხოვლის“

პარადიგმა ღვთაებრივი სიწმინდის, ღვთაებრივი მადლის გადმოსვლის ნიშან-სვეტია, რომელიც პოეტს ზეაღმსწრაფი სულიერებით მსჭვალავს და უხილავ გრძნობა-განცდებთან აზიარებს; „ნათლის სვეტის“ პარადიგმა ქრისტიანობის სიმბოლო და ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეალების გამომხატველია. „ნათლის სვეტის“ ამგვარი გააზრება გარკვეულწილად ბიბლიურ პარადიგმას მიჰყვება და კიდევ ერთხელ გამოკვეთს აზრს, რომ სამშობლოსათვის შეწირულ ერისშვილთა სიცოცხლე ღვთივკურთხეულია და რომ „ნათლის სვეტის“ თავჩენისათვის დრო-სივრცული ზღვარი არ არსებობს. ზოგიერთი შემოქმედის მიერ გამორჩეული პიროვნების „ნათლის სვეტის“ სახექმნადობით წარმოდგენა განსხვავდება აგიოგრაფთა განსახოვნებისგან და ამგვარი გააზრებით იგი რუსთაველის შემოქმედებას უკავშირდება. გარკვეულ შემთხვევებში ქართველ მწერალთა შემოქმედებაში წარმოჩენილი „ნათლის სვეტი“ ერთობ რთული სახისმეტყველების მქონე სახე-სიმბოლოა, რომელიც ორპლანიან წაკითხვას ითხოვს – ჰორიზონტალურსა და ვერტიკალურს; ამასთანავე, ბიბლიურთან ერთად, შესაძლოა, მასში მითოსური, ქრისტიანული თუ საკუთრივ მხატვრული განსახოვნების ნაკადები იგულისხმებოდეს.

ნაშრომში, ამგვარ სახეთა კვლევისას, შეძლებისდაგვარად, გახსნილი და განმარტებულია მათი სიმბოლური მნიშვნელობები და საკითხთან დაკავშირებული სხვადასხვა სავარაუდო მოსაზრება და მსჯელობაა წარმოდგენილი. თხზულებათა განხილვა კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ „ნათლის სვეტის“ სიმბოლო ქართული მწერლობის მუდმივად თანამდევი ფემომენია და იგი მრავალგვარი წაკითხვის შესაძლებლობას ქმნის.

ლია კარიჭაშვილი

ძიების მოტივი - ბიბლიური პარადიგმა აკაკის წერეთლის ლექსში „სულიკო“

აკაკი წერეთლის „სულიკოს“ ალეგორიზმი იმთავითვე ცხადი იყო, ხოლო მისი ინტერპრეტაცია და იდეური საზრისის ანალიზი ორ ძირიტად ეტაპს მოიცავს: 1 მასში ხედავდნენ დაკარგული სამშობლოს ძიების პროცესს ან ცოტა მოგვიანებით (აკაკი ბაქრაძის ინტერპრეტაცია) ძიებას დაკარგული ღმერთისა. ლექსის სათაური, შინაარსი და სიმბოლურ-ალეგორიული სახეები ცალსახად უჭერს მხარს აკაკი ბაქრაძისეულ თვალსაზრისს. ტექსტი მჭიდრო იდეურ და მხატვრულ სიახლოვეს ამჟღავნებს აკაკის უფრო ადრეულ ლექსთან „ქებათა ქება“. ორივე ლექსის ერთ-ერთ ძირითად ინტერტექსტად და პირველწყაროდ ძველი აღთმის წიგნი, „ქებათაქება სოლომონისა“ გვესახება.

ცხადია, პირველყოვლისა უნდა აღნიშნოს სამების სიმბოლიკა „სულიკოში“, სამპიროვანი ერთარსება ღმერთი გადმოცემულია ვარდის, ბულბულისა და ვარსკვლავის მხატვრული სახეებით. ვფიქრობთ, აღნიშნული სამეული შეიძლება მოვიაზროთ მშვენიერების კატეგორიებად. მშვენიერება ზეციური “გვარია“, (ისევე როგორც მიჯნურობა არის „ტომი გვართა ზენათა“ (რუსთაველი), სიკეთესა და ჭეშმარიტებასთან ერთად,მშვენიერება უფლის სამოსელია. ჭეშმარიტი მშვენიერება თეოფანიის ერთ-ერთი ფორმაა.

უშუალოდ ძიების მოტივითაც ანათესავება „სულიკო“ სოლომონ მეფის „ქებათაქებას“ (თავი III. 1.ვეძებე ღამით ჩემს სარეცელზე ჩემი სულის შეყვარებული, ვეძებე იგი და ვერ ვიპოვე.) ნიშანდობლივია, რომ სოლომონ მეფის „სულის შეყვარებული“ აკაკის ლექსში სახელდებულია „სულიკოდ“.

ამდენად, „ სულიკოს“ იდეურ და მხატვრულ პირველწყაროდ, საიდანაც მომდინარეობს, არა მხოლოდ სიმბოლურ-ალეგორიული მოაზრება უფლისა და საღვთო სიყვარულისა, არამედ ძიების მოტივიც, რომელზეც აგებულია აკაკის ლექსი, შესაძლებელია მივიჩნიოთ ბიბლიური წიგნი „ქებათაქება სოლომონისა“.

აკაკი წერეთლის „ქებათა-ქება“

(სიმბოლო და ინტერტექსტი)

სათაური - „ქებათა-ქება“ იმთავითვე მიუთითებს ლექსის სიღრმისეულ კავშირზე ბიბლიურ წიგნთან „ქებათაქება სოლომონისა“, რომელსაც ლექსი მიემსგავსება ორი

უმთავრესი ნიშანით: I. ალეგორიულია, და II. საღვთო სიყვარულის გადმოსცემს.

ორივე შემთხვევაში სულიერი ტრფიალი ღვთისადმი გადმოცემულია ხელშესახები განცდით, „განხორციელებულია“ სიყვარული. ღმერთი პერსონიფიცირებულია. „ქებათაქება სოლომონისა“აკაკის ლექსის ერთადერთ ინტერტექსტი არ არის. აქ ჩანს ფსალმუნური ცნებათმეტყველება („ღვინო ახარებს გულსა კაცისასა“ (103, 15). ყველაფერი შექმნილია ღვთის სადიდებლად: „აქებდით უფალსა ცათაგან, აქებდით მას ყოველნი ანგელოზნი მისნი... (ფს. 149). სიყვარულის აკაკისეული განსაზღვრება ცალსახად მიანიშნებს რუსთველის დისკურსს მიჯნურობის რაობაზე. აგრეთვე, გამჭვირვალეა ალუზიები ნიკოლოზ ბარათაშვილის სტრიქონებისა („შემოდამება მთაწმინდაზე“).

„ქებათა-ქებაში“ ჩანს წმინდა სამების სიმბოლიკა. სამპიროვანი ერთარსება ღმერთი ალეგორიულად გადმოცემულია ვარდის, იისა და ბულბულის მხატვრული სახეებით (ფერი, სინაზე, ენა –ტკბილხმოვანება,) რომლებიც აქ მშვენიერების კატეგორიებია. მშვენიერება ზეციურია, აბსოლუტური ერთის ატრიბუტია სიკეთესა (სახიერება) და ჭეშმარიტებასთან ერთად. მშვენიერება უფლის „სამოსელია“. „ქებათა-ქების“ კიდევ ერთი სამეულია წმიდა ნინო, წმინდა თამარი და წმინდა ქეთევანი. ცხადია, სხვა წმინდანთა დასახელებაც შეიძლებოდა, მაგრამ აქაც მნიშვნელოვანია სამი, ერთში „შენათხზ-შეერთებულად“ (წმინდანთა იგივე სამეული გამოჩნდა „თორნიკე ერისთავში“).

ამდენად, „ქებათა-ქება“ სათაურით, იგავური საზრისით, ინტერტექსტუალობით და სიმბოლიკით ცხადყოფს, რომ ის არის უფლის ქებათაქება და სიყვარულის საგალობელი.

La langue de Rustaveli – la conception du monde du poete; le symbole de l`unite et de l`identite nationale.

რუსთაველის ენა - პოეტის მსოფლმხედველობრივი კონცეპტი; ეროვნული მთლიანობისა და იდენტობის სიმბოლო

1„ვეფხისტყაოსანი“ შექმნილია რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო ქართულით, მაგრამ არაერთი თვალსაზრისი გამოთქმულა სამეცნიერო ლიტერატურაში იმის გამოსავლენად, თუ უპირატესად საქართველოს რომელ კუთხეს წარმოაჩენს რუსთაველის მეტყველება, რომელი დიალექტის ლექსიკა სჭარბობს პოემაში. ამ თვალსაზრისით აქტუალურია შემდეგი ვერსიები: რუსთაველის ლექსიკა ძირითად ეყრდნობა მესხურს, ჯავახურს, ზემოაჭარულს (რომელიც, თავის მხრივ, ტაოსა და კლარჯეთის სამეტყველო ენას უახლოვდება), ინგილოურს ... რუსთაველის ენაზე დაკვირვება მეტს საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ იგი მოვიაზროთ ზოგადქართულ ფენომენად, ეროვნული ცნობიერებისა და ყოფიერების უნივერსალურ რომელიც აერთიანებს ყველა კუთხისთვის დამახასიათებელი და გასაგები ლექსიკით. ამ თვალსაზისითაც რუსთაველის ენა ამთლიანებს ერს.

2 „ვეფხისტყაოსანი“ მოიცავს საკმაოდ ფართო გეოგრაფიულ არეალს, სადაც ისტორიული ქვეყნების გვერდით, როგორებიცა არაბეთი, ინდოეთი, ხვარაზმი, ხატაეთი გვხვდება გამოგონილი ქვეყნები: მულღაზანზარი, ზღვათა სამეფო, ქაჯეთი (თუმცა ამ ქვეყნებს, ისტორიულსაც თუ გამოგონილსაც, გარდა გეოგრაფიულისა, სიმბოლიური გააზრებაც აქვს.) მიუხედავად ამ მრავალფეროვნებისა, პოემაში არ დგას ენობრივი ბარიერი, ისევე როგორც რელიგიური. რუსთაველის პოეტური სამყაროსთვის ენა უნდა ყოფილიყო უნივერსალური; უფრო მეტიც, არათუ ადამიანები, არამედ მთელი სამყარო საუბრობს ერთ ენაზე. ეს რუსთველის მსოფლმხედველობის ერთ-ერთი კონცეპტია. მისთვის სამყარო მთლიანია და დაურღვეველი. ეს მთლიანობა შესანიშნავად აისახა ცნობილ სტროფში: „რა ესმოდით მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან...“.

ვფიქრობთ, „ვეფხიტყაოსნის“ შიდა ენის უნივერსალურობა, რელიგიურთან და სხვა სოციოლოგიურ და კულტუროლოგიურ ფაქტორებთან ერთად, ის მხატვრული პირობითობაა, რომელმაც უნდა გამოკვეთოს პიროვნების პრიორიტეტი რელიგიურ-ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად.

ამდენად, როგორც რუსთაველის ენა ზოგადეროვნული მოვლენაა, ასე მისი პოემის „შიდა ენა“ ერთია სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელთათვის, სულიერთა და უსულოთათვის, რაც ერთგვარი ფონი და წინაპირობაა რუსთაველის მსოფლმხედველობის - ჰუმანიზმის, ტოლერანტობის, სამყაროს ჰარმონიულობისა და მთლიანობის გამოსახატავად.

ეთიკური რეალიები „ვეფხისტყაოსანში“ (ზოგიერთი ასპექტი)

ნაშრომში განხილულია ზოგიერთი ეთიკური რეალია „ვეფხისტყაოსნიდან“. ჩვენი თვალსაზრისით, რუსთაველის ეთიკური კონცეფცია, როგორც სიუჟეტის განვითარების, ისე პერსონაჟთა მხატვრულ სახეთა დონეზე, არსებითად ქრისტიანულია. იგი მნიშვნელოვნად თანხვდება არისტოტელეს ნააზრევს ეთიკის პრობლემებზე. პერსონაჟის ზნეობა გარკვეულწილად განპირობებულია მისივე მსოფლმხედველობით, სოციალური ნიშნულით, უმთავრესად კი ინდივიდუალური მახასიათებლებით. ამდენად, ეთიკა რუსთაველისთვის, ისე, როგორც ზოგადად, პიროვნული ფენომენია.

მთავარ პერსონაჟთა შეხვედრები („ვეფხისტყაოსანი“, „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“)

ვაჟა-ფშაველას პოემებში თვალსაჩინოა შეხვედრა-გაცნობათა ის მოდელი, რომელიც მოქმედებს “ვეფხისტყაოსანში”. ეს არის ავთანდილისა და ტარიელის, ტარიელისა და ფრიდონის, ავთანდილისა და ფრიდონის გაცნობის ეპიზოდები. მათი შეხვედრები აღბეჭდილია მეყსეული ურთიერთშემეცნებით, ურთიერთდირსებათა აღიარებით და აქვე იბადება სიყვარულიც. ეს ხდება მაშინ, როდესაც თანაბარი რანგის პიროვნებანი ხვდებიან ერთმანეთს. მათი საერთო ენა ვაჟკაცობისა და დირსების ენაა და მის წინაშე ფერმკრთალდება ეთნიკური და რელიგიური სხვადასხვაობა.

ჯოყოლა და ზვიადაური ხვდებიან, როგორც მოყვარენი და არსებობს პერსპექტივა, მათი ურთიერთობა გადაიზარდოს მტრობაში, მაგრამ ჯოყოლას ცნობიერებაში ზვიადაურის იდენტიფიკაცია ძმის მკვლელთან და მოსისხლესთან ვეღარ მოხდა. რეალური პიროვნება წარმოსახული მტრის ხატთან ვერ გაიგივდა. ალუდა და მუცალი ხვდებიან როგორც მტრები და მათი ურთიერთობა გადაიზრდება სულიერ სიახლოვეში. ორივეგან ძლეულია მტრობა და სიძულვილი და ორივე შემთხვევაში ეს განპირობებულია პიროვნების ფაქტორით.

ვაჟას დიდბუნებოვანი პერსონაჟები, ისევე როგორც „ვეფხისტყაოსნისა“, ურთულეს სიტუაციებში საკუთარ გულისხმას უსმენენ და არც ცდებიან. მათი ორიენტირი ადამიანური შემწყნარებლობა და ჰუმანიზმია.

დავით კარიჭაშვილის სამეცნიერო ღვაწლი (ზოგიერთი ასპექტი)

მოხსენებაში განხილულია XIX- XX საუკუნეთა მიჯნის მკვლევრისა და საზოგადო მოღვაწის დავით კარიჭაშვილის ნაშრომები ძველი ქართული ლიტერატურის საკითხებზე, როგორებიცაა: „ვინ არის კალმასობის ანუ ხუმარსწავლად წოდებული ქართული

ენციკლოპედიის ავტორი“, „ქართლის მატიანის წარმართი ღმერთები“, „შუშანიკის წამება“, „ვეფხისტყაოსნის შედგენილობა“ და სხვა. წარმოჩენილია ამ ნაშრომთა ადგილი და წვლილი სამეცნიერო ლიტერატურაში დღევანდელი გადასახედიდან.

ოქტაი ქაზუმოვი

„ვეფხისტყაოსნის მუსლიმური ნაკადის კრიტიკის ზოგიერთი ასპექტისათვის"

ნაშრომის თემაა „ვეფხისტყაოსნის“ მუსლიმური ნაკადის ანალიზი და მასთან დაკავშირებული კრიტიკული მოსაზრებები რუსთველოლგიურ ლიტერატურაში. ავტორის აზრით, რუსთაველის მიზანს სრულებითაც არ წარმოადგენს ისლამის უარყოფა ან თუნდაც მისი მიზანმიმართული ქადაგება-პროპაგანდა და ამდენად, ქართველ მეცნიერთა არგუმენტები შესანაცვლებელია სხვა უფრო მყარი მტკიცებულებებით, რომლებიც ვითარებას უფრო ობიექტურად წარმოაჩენენ.

ლია წერეთელი

„მენტალობის ორი მოდელი აკაკის „ჩემი თავგადასავლის“ მიხედვით

ნაშრომში განხილულია აკაკის „ჩემი თავგადასავლის“ ორი ეპიზოდი:ვორონცოვის ქვრივის ოჯახში სტუმრობა და ფულისადმი აკაკის დამოკიდებულება.წარმოჩენილია რუსების დამოკიდებულება ქართველთა მიმართ.

ნათელია, რომ ფულისადმი დამოკიდებულება, აკაკის თვალსაზრისით, სქართველოში რუსული მართველობის დროს შეიცვალა. მენტალობის ცვლილება ტრაგიკულია და იმავდროულად რუსული საზოგადოების სიცილს იწვევს.

1	მაკა ელბაქიძე	იოზეფ როთი და ბიბლიური ტრადიცია	მე-9 საერთაშორისო სიმპოზიუმი ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები. თრადიცია და თანამედროვე მწერლობა. თბილისი 2015 წლის 23-25 სექტემბერი
2	მაკა ელბაქიძე	ტანსაცმლის სოციოკულტურული და რიტუალურ-სიმბოლური ფუნქციისათვის შუასაუკუნეების მწერლობაში (“ვეფხისტყაოსნისა” და ევროპულ;ი რაინდული რომანის მაგალითზე)	საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი. თბილისი. 2015 წლის 11-13 ნოემბერი

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

იოზეფ როთი და ბიბლიური ტრადიცია

“თანამედროვეობა იმით განსხვავდება წარსულისგან, რომ ის აღიქვამს წარსულს ისეთი სიცხადით და ისეთ ასპექტში, რომელიც თვით ამ წარსულისთვის მიუწვდომელია”, – წერდა თომას ელიოტი 1919 წელს გამოქვეყნებულ ესეში “ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა”. აქედან გამომდინარე, ყველა მწერალი “ტრადიციულია”, რაც იმას ნიშნავს, რომ ლიტერატურული შემოქმედება, გარკვეულწილად, წარსულის

არქეოლოგიურ რეკონსტრუქციასაც გულისხმობს. მე-19 საუკუნის მიწურულს ავსტრია-უნგრეთის პერიფერიაზე დაბადებული იოზეფ როთისთვის, ალბათ, ძალზე ძნელი იყო საკუთარი კულტურული ფესვების ძიება. სამი განსხვავებული კულტურის (ებრაული, ავსტრიული, რუსული) "გზაჯვარედინზე" მყოფ მწერალს ბედმა კიდევ ერთი გზასაყარის პირისპირ დგომა არგუნა წილად. 1919 წელს დაინგრა იმპერია და როთმა, ისევე როგორც ათასობით მისმა თანამემამულემ, დაკარგა მოქალაქეობა, ნაციონალური კუთვნილება, სამშობლო და თავისი შორეული წინაპრების მსგავსად "სამუდამო მოხეტიალედ" იქცა. მომავალმა მწერალმა, რომელმაც უდიდესი ნებისყოფის წყალობით შეძლო, გამკლავებოდა სიღატაკეს, მიეღო სრულყოფილი განათლება ევროპის ერთ-ერთ წამყვან უნივერსიტეტში, 3-4 წელიწადში მიაღწია იმას, რასაც ზოგჯერ ათწლეულები სჭირდება – აღიარებას, მკითხველისა და კრიტიკის კეთილგანწყობას, მატერიალურ კეთილდღეობას, ოჯახურ ჰარმონიას. მიუხედავად იმისა, რომ პატივმოყვარეობა უცხო იყო ამ თავმდაბალი და კეთილშობილი ადამიანისთვის, რომელიც უშურველად გასცემდა და სანაცვლოდ არაფერს ითხოვდა, მისი კეთილდღეობა, ბიბლიური იობისა არ იყოს, ერთი ხელის მოსმით დაინგრა (ცოლის მძიმე ავადმყოფობა, ევროპის თავზე აღმართული ნაციზმის აჩრდილი, ისევ უსამშობლობა, ისევ ხეტიალი, ლოთობის სენი). აწმყო მისთვის სასტიკი და დაუნდობელი აღმოჩნდა, ამიტომ მწერალმა დროებით "დაივიწყა" თანადროული საჭირბოროტო პრობლემები და "ტრადიციულ", სამარადისო თემებს მიმართა. წერალი "უბრუნდება" თავის პირვანდელ ფესვებს, ბიბლიას და ძველი აღთქმის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული "პერსონაჟის" კვალობაზე ქმნის "ახალ იობს", ტანჯვაში გამოტარებული რწმენის სიდიადის კიდევ ერთ განსახოვნებას. ეს რომანი კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ მწერალს თავის გმირებზე არანაკლებ სჭირდება ნუგეშისცემა, პოეტური გამონაგონის ზემოქმედებით იმ შინაგანი საყრდენის მოპოვება, რომელსაც ადამიანს ანიჭებს მითი, უტოპია, ურყევობის რწმენა.

ტანსაცმლის სოციოკულტურული და რიტუალურ-სიმბოლური ფუნქციისთვის შუასაუკუნეების მწერლობაში ("ვეფხისტყაოსნისა" და ევროპული რაინდული რომანის მაგალითზე)

ტანსაცმლის ტარებისა და საკვების მიღების ეტიკეტს ნებისმიერი ცივილიზებული საზოგადოების კულტურაში უმნიშვნელოვანესი ადგილი განეკუთვნება. ამ თვალსაზრისით გამოირჩევა შუასაუკუნეები, რომელსაც პირობითად "რიტუალიზირებული ეპოქა" შეიძლება ვუწოდოთ. ტანისამოსს, "სოციალური ცხოვრების ამ სიმბოლურ ჟესტს" (ლე გოფი), ფასეულობათა სისტემაში უმნიშვნელოვანესი ადგილი ეჭირა. ტანსაცმელი არა მარტო ათბობდა ან ამშვენებდა შუასაუკუნეების ადამიანს, არამედ მიჩეული იყო პიროვნების სოციალური სტატუსის განმსაზღვრელ უმთავრეს კრიტერიუმად.

ტანსაცმლის ტარების ეტიკეტის როლის შესწავლა ისევე მნიშვნელოვანია ხელოვნებასა და ლიტერატურაში, როგორც სოციალურ პრაქტიკაში, ვინაიდან ლიტერატურულ ძეგლებში ამ ეტიკეტით განისაზღვრებოდა არა მარტო პერსონაჟთა საზოგადოებრივი მდგომარეობა, არამედ ხდებოდა გარკვეული სიუჟეტური სვლების სიმბოლიზირება და ნარატივის მნიშვნელოვანი მომენტების აქცენტირება.

ევროპულ რაინდულ რომანში, ისევე როგორც ვეფხისტყაოსანში, ტანისამოსს აქვს როგორც სოციოკულტურული და სოციოპროფესიონალური, ისე რიტუალურ-სიმბოლური ფუნქცია. შესაბამისად: ა) მისი საშუალებით ხდება პიროვნების (ამ შემთხვევაში პერსონაჟის) იდენტიფიცირება საზოგადოებაში, მისი სოციალური სტატუსისა და როლის ხაზგასმა; ბ) ის (ძვირფასეულობასთან ერთად) გვევლინება ფეოდალური საზოგადოების უმთავრესი პრინციპის – ჩუქება-ბოძების – უცილობელ ატრიბუტად; გ) სიმბოლურად ასახავს ფეოდალური საზოგადოებისთვის დამახასიათებელ გარკვეულ რიტუალურ თუ

საწესჩვეულებო ნორმებს; დ) მთელ რიგ შემთხვევებში ტანსაცმლის სიმბოლიკას აქვს არა იმდენად წმინდა ეთნოგრაფიულ-რიტუალური, რამდენადაც მხატვრულ-ესთეტიკური დატვირთვა.

შუასაუკუნეების რაინდულ რომანს კურტუაზიულთან ერთად ავანტიურულსაც უწოდებენ, ვინაიდან ნარატივის მნიშვნელოვანი ნაწილი საკარო ცივილიზაციისგან მოშორებით, ე.წ. "სხვის სივრცეში" (ველური ტყე, ზღვა და ა.შ) ვითარდება. ნარატივში ავანტურული ელემენტის შემოტანასთან ერთად სამოსის ტარების კოდექსი მინიმალურ როლს ასრულებს. სხვაგვარად შეუძლებელიცაა, რადგან მოქმედება აქ ვითარდება ტყეში, ე.წ. ველურ გარემოში, სადაც რაინდს ელის ნამდვილი განსაცდელი, სადაც არ არსებობს საჭიროება სამოსის ტარების წესების დაცვისა და ძვირფასი ტანისამოსის დემონსტრირებისა. ტყეში უმთავრეს მნიშვნელობას იძენს მეომრის/მონადირის სამოსელი.

ხეტიალი/ძიების მოტივის ამოწურვის შემდგომ მოქმედება უბრუნდება საწყის წერტილს (სენიორის კარი), რომელიც პროტაგონისტისთვის ფამილიარულთან ერთად კომფორტულ (ცივილიზებულ) გარემოში დაბრუნებას მოასწავებს. შესაბამისად, ნარატივის ამ მონაკვეთში საპარადო სამოსის დემონსტრირებას, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში ჩუქება-ბოძების მოტივთანაა გადაჯაჭვული, მოსდევს ე.წ. გასტრონომიული აპოთეოზი, თავისებური დეკლარირება საკარო ცივილიზაციისთვის დამახასიათებელი ფუფუნებისა.

უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**ივანე ამირხანაშვილი**	პოეტური კანონი, როგორც ხასიათი (ნიზამი და რუსთაველი)	27. 11. 2015. ბაქო; აზერბაიჯანის რესპუბლიკის განათლების სამინისტროს, ბაქოს სლავისტიკის უნივერსიტეტისა და აზერბაიჯანის კომპარატივისტული ლიტერატურის ასოციაციის ეგიდით გამართული მე-6 საერთაშორისო კონფერენცია„შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა და კულტურა"
2	**ნ. გონჯილაშვილი, თ.შარაბიძე**	„ვეფხისტყაოსნის" შ. ნუცუბიძის რუსული პოეტური თარგმანის ისტორია და სტალინი", „მაპრიალის" საერთაშორისო ასოციაციის XIII კონგრესის „რუსული ენა და ლიტერატურა მსოფლიო კულტურის სივრცეში".	გრანადა, ესპანეთი, 13-20 სექტემბერი

		გადაცემულია დასაბეჭდად.	

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

ივანე ამირხანაშვილი

პოეტური კანონი, როგორც ხასიათი (ნიზამი და რუსთაველი)

მოხსენების თემაა ნიზამისა და რუსთაველის პოეტური ენა, გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ ნიზამისა და რუსთაველის პოეტური მეტყველებისათვის დამახასიათებელია წარმოდგენათა მეტაფორულობა და ჰიპერბოლიზაცია. ეს უპირატესად ვლინდება ლირიკულ გადახვევებში, ჩანართებსა და აღწერებში. ორივე პოეტი ახორციელებს მაქსიმალური მხატვრული გამომსახველობის პრინციპს.

ნანა გონჯილაშვილი (თანაავტორი თ.შარაბიძე)

ნ. გონჯილაშვილის მოხსენებაში – შალვა ნუცუბიძის „ვეფხისტყაოსნის“ რუსული პოეტური თარგმანი და სტალინი – შ. ნუცუბიძის წერილისა და ინტერვიუს, შსს არქივში მოძიებული მასალებისა და სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემთა შეჯერების საფუძველზე სრულადაა წარმოჩენილი პატიმრობაში მყოფი ნუცუბიძის მიერ პოემის თარგმანის შექმნის ისტორია და სტალინის ინტერესი ამ თარგმანის მიმართ. მოხსენებაში გამოკვეთილია სტალინის როლი პოემის აღნიშნული თარგმანის გამოცემაში, კერძოდ, სტალინმა ტექსტი უცვლელად დატოვა, თუმცა გამოცემის გაფორმებაში დიდი სამუშაო ჩაატარა –სათაურის თარგმნა იქნება ეს, სატიტულო გვერდის გაფორმება (შრიფტის ზომის ჩათვლით), ილუსტრაციების შერჩევა და მათი ადგილის განსაზღვრა, თუ თავად თარგმანში საკუთარი ორი ტაეპის ჩართვა. სტალინისათვის, როგორც ირკვევა, პოემის ახალი თარგმანის გამოცემა უაღრესად მნიშვნელოვანი იყო. სტალინს სჭირდებოდა იმის დემონსტრირება, რომ იგი დიდი და სახელოვანი ისტორიის მქონე ერის შვილი იყო. პოემის თარგმნამ საბედისწერო განაჩენისაგან იხსნა შ. ნუცუბიძე.

1	Maka Elbakidze	Rustaveli's Conception of Love and Medieval Oriental Literature	Comparative Literature and Culture: Starting Points of National Literature and Culture. ბაქო, 2015 წლის 26-28 ნოემბერი

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

Rustaveli's Conception of Love and Medieval Oriental Literature

ვეფხისტყაოსნის პროლოგსა და სიუჟეტის განვითარებაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ რუსთველის მიერ ჩამოყალიბებული სიყვარულის კონცეფცია არის ძალზე სპეციფიკური და, იმავდროულად, სრულიად ახლებური გააზრება მიჯნურობისა, რომელსაც არ იცნობს წინარე პერიოდის ქართული მწერლობა. *ვეფხისტყაოსნის* ავტორი უხვად სარგებლობს როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური სამყაროს ტრადიციადქცეული მოტივებითა თუ სახეებით, მაგრამ აფუძნებს რა ყოველივე ამას ეროვნულ-ქართულ ნიადაგზე, ქმნის მიჯნურის საკუთარ, რუსთველისეულ ტიპს, თვითმყოფადსა და განსხვავებულს როგორც აღმოსავლური ეპიკის, ისე ევროპული რაინდული რომანის პერსონაჟთაგან.

ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ ერთი კონვენციონალური მოტივი *ვეფხისტყაოსნისა*, რომელიც სასიყვარულო ტანჯვას უკავშირდება და მოიაზრება, როგორც სენი, ავადმყოფობა.

ცხადია, ამ მოტივის ძირები აღმოსავლურ სამყაროშია საგულვებელი, სადაც მიჯნურის ტანჯვა შესაბამისი შენაკადური მოტივების მეშვეობითაა გადმოცემული: ა) სიშმაგე, გახელება, გაგიჟება; ბ) სისხლის ცრემლების ღვრა; გ) ჩაუქრობელი ცეცხლით (სახმილით) წვა; დ) გულის დალახვრა და დაწყლულება; ე) სიკვდილის ნატვრა; ვ) ველად გაჭრა. თითოეული მათგანი უხვად არის გამოყენებული როგორც აღმოსავლურ სასიყვარულო ლირიკაში, ისე ეპიკაშიც და სამიჯნურო პოეზიის ისეთ ენციკლოპედიურ ნაშრომებშიც კი, როგორიცაა იბნ დაუდ ალ-ისპაჰანის *ვენუსის წიგნი* და იბნ ჰაზმის *მტრედის ყელსაბამი.*

როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური სასიყვარულო პოეზიისათვის დამახასიათებელი კონვენციონალური მოტივები მხოლოდ მზა ფორმულათა სახით გვხვდება რუსთველის *ვეფხისტყაოსანში* და ლიტერატურული გადამუშავების შედეგად განსხვავებული ინტერპრეტაციით წარმოგვიდგება.

რუსთველთან სასიყვარულო ტანჯვა და მიჯნურობით მოგვრილი სიხარული მჭიდროდაა გადაჯაჭვული ერთმანეთთან და გამიჯნულად არაა წარმოდგენილი. აქცენტი აქ გადატანილია არა ტანჯვის სიძლიერესა და კვდომაზე (შდრ. "ტრისტანი და იზოლდა", "ვისრამიანი", "ლეილი და მეჯნუნი" და ა.შ), არამედ ამ მტანჯველ ემოციათა დაძლევასა და მათი ფლობის უნარზე, რასაც საბოლოოდ მივყავართ პიროვნების სრულყოფასა და მიწიერი იდეალის წვდომამდე.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის სამეცნიერო ცენტრი

ცენტრის ხელმძღვანელი - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მაია ნინიძე

ცენტრის პერსონალური შემადგენლობა:

ჯულიეტა გაბოძე
მაია არველაძე
ელისაბედ ზარდიაშვილი
შარლოტა კვანტალიანი
ნანა ფრუიძე
ნათელა ჩიტაური

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	„ქართველ რომანტიკოსთა თხზულებების აკადემიური გამოცემა“ ფილოლოგია ქართველოლოგია	ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მაია ნინიძე	ფილ. მეცნ. დოქტ. მაია ნინიძე, ფილ. დოქტორები: ჯულიეტა გაბოძე, შარლოტა კვანტალიანი, ელზა ზარდიაშვილი, ნანა ფრუიძე, ნათელა ჩიტაური, მაია არველაძე
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			
ორწლიანი სამუშაო, რომელიც მიზნად ისახავდა „ქართველ რომანტიკოსთა თხზულებების აკადემიური გამოცემისათვის ბიბლიოგრაფიების მოზადებას“ არის ათწლიანი პროექტის - „ქართველ რომანტიკოსთა თხზულებების აკადემიური გამოცემა“ პირველი ეტაპი. ტრადიციული მეთოდებისა და ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით მომზადდა ხუთი უდიდესი ქართველი რომანტიკოსის: ნიკოლოზ ბარათაშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანების თხზულებათა სრული ბიბლიოგრაფიები, რომლებიც საფუძვლად დაედება მათი ნაწერების ტექსტოლოგიურ კვლევას და აკადემიური გამოცემის მომზადებას.			

სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1.	აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიური ოცტომეულის მეორე ნაწილის (XI-XX ტომების)გამოსაცემად მომზადება(2009-2010 წწ.პროექტი № –12, გაგრძელება).	რუსთაველის სამეცნიერო ეროვნული ფონდი	როსტომ ჩხეიძე	ჯულიეტა გაბოძე ნანა ფრუიძე მაია არველაძე ელზაზარდიაშვილი, ნათელა ჩიტაური, შარლოტა კვანტალიანი
	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები 2015 წლის ბოლოს დასრულდა პროექტის მეხუთეეტაპი და დაიწყო მეექვსეეტაპი. გამოსაცემად მომზადების მიზნით შესწავლილ იქნა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, ლიტერატურის მუზეუმის, საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივის, სხვიტორის აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმისა და საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში დაცული ხელნაწერები, დოკუმენტები და საქმიანი ქაღალდები. .			
2.	„ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე – ახალი ტექსტოლოგიური კვლევები (ორენოვანი გამოცემა)” ფილოლოგია ქართველოლოგია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი მაია ნინიძე			ნანა ფრუიძე შარლოტა კვანტალიანი ქეთევან ხითარიშვილი (ხელნაწერთა ეროვული ცენტრი)
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				
ქართველ მწერალთა ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანეთა შემდგენლები კრებდნენ მზა ინფორმაციას, რაც უკვე არსებობდა მწერალთა შესახებ, მაგრამ მატიანის გარეთ რჩებოდა ფაქტები, რომლებიც საჭიროებდა დათარიღებას, ტექსტები, რომელთა ავტორებიც დასადგენი იყო და სხვ. ამ პროექტის ფარგლებში პირველად დავუკავშირეთ ერთმანეთს მატიანის შექმნა და ტექსტოლოგიური კვლევა. პროექტის ფარგლებში მომზადდა ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ფაქტების ასობით ანოტაცია და სამეცნიეო ნაშრომების სამი ელექტრონული ბიულეტენი, რომლებშიც წარმოდგენილია ჩატარებული კვლევების შედეგები: http://textologi.blogspot.com/p/2013-3-2015-15-17-1987-2007-xv-xvi-xvii.html				

http://textologi.blogspot.com/p/2.html http://textologi.blogspot.com/p/blog-page_17.html				
	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2	„ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის აკადემიური გამოცემა" – მე-6, მე-7 ტომები	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ქეთევან გიგაშვილი	შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტიდან – მაია ნინიძე
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				
მომზადდა და გამოიცა „ქართველ მწერალთა აკადემიური გამოცემის" მეექვსე ტომი, რომელშიც შევიდა სულ 134 წერილი. აქედან დღემდე გამოქვეყნებული არ იყო 46 ბარათი. ტომი აღჭურვილია მდიდარი სამეცნიერო აპარატით. მზადდება და 2016 წელს გამოვა მომდევნო, მე-7 ტომი.				

. 1. **პუბლიკაციები:**

აკადემიური გამოცემები

№	მომმზადებლები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლამარა შავგულიძე მაია ნინიძე ნათელა ჩიტაური	ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ოცტომეულის მე-16 ტომი	თბილისი "ილიას ფონდი"	900
ანოტაციები ქართულ ენაზე გამოსაცემად მომზადდა და გამოიცა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა მე-16 ტომი - რუსულენოვანი პუბლიცისტური წერილები, თარგმნილი უცხოენოვანი პუბლიცისტიკა და "დამატებანი". ტუმში შესული მასალის უდიდესი ნაწილი პირველად გამოქვეყნდა ავტორის გარდაცვალების შემდეგ. აკადემიურად მომზადებულ ტექსტს დართული აქვს მდიდარი სამეცნიერო აპარატი: პასპორტები, კომენტარები, შენიშვნები და საძიებლები.				

კლასიკოსთა გამოცემები

№	მომმზადებლები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მაია ნინიძე	წმინდა ილია მართლის (ილია ჭავჭავაძის) სასულიერო	თბილისი "ნეკერი"	144

		პოეზია და პუბლიცისტიკა		

ანოტაციები ქართულ ენაზე

საბჭოთა ხელისუფლების დროს საგანგებოდ ხდებოდა ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობისა და მისი რელიგიური ნააზრევის უგულვებელყოფა, რადგან ეს ეწინააღმდეგებოდა გაბატონებული იდეოლოგიის ინტერესებს. ამ კრებულის შედგენას და გამოცემას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გასაცნობიერებლად, თუ როგორი იყო ამ მწერლისა და საზოგადო მოღვაწის მრწამსი და რა იყო მისი შემოქმედების "გასაშინჯავი წერტილი".

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	პავლე ინგოროყვა, როსტომ ჩხეიძე მაია ნინიძე ვლადიმერ ჭელიძე	ქართული დამწერლობის ძეგლები ანტიკური ხანისა	თბილისი "ჩვენი მწერლობა"	99

ანოტაციები ქართულ ენაზე

კრებულში დაიბეჭდა პავლე ინგოროყვას სამეცნიერო ნაშრომი არმაზის წარწერების შესახებ და ის კვლევები, რომლებიც უკანასკნელ პერიოდში მოჰყვა ამ გამოკვლევას. სტატიები ეძღვნება იმის დასაბუთებას, რომ ქართული დამწერლობა არსებობდა ჯერ კიდევ ჩვ. წ. I საუკუნეში და რომ არმაზის ლანგარზე და შარაგასის სტელაზე უცხოენოვანი წარწერების გარდა არის ამოკვეთილი ქართული გრაფემებიც.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ-ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მარიამ (მაია) ნინიძე	„ნეკრესისა და რუსთავის ეპიგრაფიკული ძეგლების დათარიღება და ქართული ანბანის შექმნის ხანა", „ქართული წყაროთმცოდნეობა"	XVII-XVIII	თბილისი	12
2	მარიამ (მაია) ნინიძე ვლადიმერ ჭელიძე	ქართული დამწერლობის მოდელი და ახალი წელთაღრიცხვით პირველი საუკუნის ქართული წარწერები", „ქართული	XVII-XVIII	თბილისი	9

		წყაროთმცოდნეობა“			
ანოტაციები ქართულ ენაზე					
1. ამოკითხულია ნეკრესისა და რუსთავის რამდენიმე წარწერა და ყურადღება მიქცეულია იმაზე, რომ ოთხი სხვადასხვა წარწერის ბოლოს არის სწორედ ის გრაფიკული ნიშანი – “ჩ”, რომელიც პირბველი საუკუნით დათარიღებულ არეშისა და ვანის თიხის ჭურჭელზე. 2. განხილულია პავლე ინგოროყვას მიერ ამოკითხული არმაზის ლანგრისა და შარაგასის სტელის წარწერები და გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრებები. დაზუსტებულია ამ წარწერების შესრულების თარიღი.					

. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მაია ნინიძე	„ქალი – ცოლის“ სახესთან დაკავშირებული კონცეპტები აკაკი წერეთლის თხზულებებში	IX საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი – ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა (მიეძღვნა აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან ასი წლისთავს), 23-25 სექტემბერი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე			
მოხსენებაში წარმოდგენილი იყო აკაკი წერეთლის ბიოგრაფიული დეტალების ანარეკლი მის შემოქმედებაზე და, ფსიქოანალიზის თეორიის საფუძველზე, გაკეთებული იყო დასკვნა, რომ ტრადიციულისაგან განსხვავებული აღქმა და მიდგომები სწორედ პერსონალურ ბიოგრაფიაში შეიძლება ვიპოვოთ.			
№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
2	მაია ნინიძე	ეროვნული იდენტობის კონცეფცია და ევროპული გამოცდილება ილია ჭავჭავაძის ნაწერებში	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მიგრაციული პროცესები და იდენტობათა ტრანსლაცია, 15-18 ოქტომბერი, თსუ
მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე			
მოხსენებაში საუბარი იყო ქართული იდენტობის ილია ჭავჭავაძისეულ ხედვაზე, გაანალიზებული იყო მნიშვნელოვანი ამონარიდები მისი ნაწერებიდან და მის მიერვე			

მოხმობილი შედარებები ევროპულ გამოცდილებასთან.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (უცხოური გრანტი)
1	ხელოსნობა და სამეწარმეო უნარები საქართველოში – ტრადიცია, ისტორია, კულტურა	მაია ნინიძე	მაია ნინიძე, ქეთევან ნინიძე, თამარ ჯანაშია	germaniis saerTaSoriso TanamSromlobis organizacia (GIZ)
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				
პროფესიული სასწავლებლების მოსწავლეებისათვის მომზადდა და გამოიცა წიგნი „ხელოსნობა და სამეწარმეო უნარები საქართველოში – ტრადიცია, ისტორია, კულტურა“, რომელსაც დაერთო წინასიტყვაობა და კომენტარები. მასალა ასევე ითარგმნა და გამოიცა ინგლისურ ენაზე.				

1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები **რედაქტორი**	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თავზარაშვილი კახაბერ ***რედ. ნანა ფრუიძე***	რაოდენობრივი კვლევის მეთოდების საფუძლები	საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2015	198
წიგნი განკუთვნილია არამათემატიკური და არასაინჟინრო სპეციალობის სტუდენტებისთვის. წიგნის მიზანია, სტუდენტები დაეუფლონ პროფესიული საქმიანობისათის საჭირო მათემატიკური ცოდნის საფუძლებს და განიმტიკცონ შესაბამისი მათემატიკური უნარები უნარები. წიგნში განხილულია სიმრავლეები, რიცხვები და მატზე მოქმედებები, გრაფიკები და ფუნქციები, წრფივი და კვადრატული განტოლებები, მარტივი მატემატიკრი მოდელები და ამ მოდელების გამოყენების პრაქტიკული მაგალითები, რიცხვთა მიმდევრობები, პროცენტები, ფინანსური მათემეტიკის საფუძლები (მარტივი და რთული პროცენტები), სტატისტიკის საფუძლები, მონაცემთა სტატისტიკური და გრაფიკული ანალიზის მეთოდები, კომბინატორიკისა და ალბათობის თეორიის საფუძლები. თეორიული მასალის უკეთ ასათვისებლად ყოველ თეასთან დაკავშირებით განხილულია პრაქტიკული ამოცანები. სახელმძღვანელო დაეხმარება სტუდენტს საჭიროების შემთხვევაში ეფექტურად გამოიყენოს კვლევის რაოდენობრივი მეთოდები.				

წიგნის შედგენისას გათალისწინებული იყო (სსოციატიონ ოფ უსუნესს ხეცუტივეს) ბიზნესის საერთაშორისო სასერთიფიკატო კურსის (რაოდენობრივი მეთოდების საფუძლები) მოთხოვნები. დიპლომი აღიარებულია დიდი ბრიტანეთისა და ევროპის ყველა წამყვანი უნივერსიტეტის მიერ და განკუთვნილია ბიზნესის სფეროში მოღვაწე ან ბიზნესით დაინტერესებული პირებისათის. წიგნში გამოყენებულია*Precalculus (6-th Edition) by Michael Sullivan, 2013*-ის მასალები.

კრებულები

№	ავტორი/ავტორები **შემდგენლები**	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ჯულიეტა გაბოძე მაკა ელბაქიძე ირმა რატიანი ნანა ფრუიძე როსტომ ჩხეიძე	**აკაკი წერეთელი რჩეული თხზულებანი ერთ ტომად**	თბილისი, გამომცემლობა საქართველოს მაცნე	484
2	ნანა ფრუიძე, ნათელა ჩიტაური, მაია არველაძე, ლამარა შავგულიძე, მანანა კვატაია, ქეთევან ნინიძე	**აკაკი წერეთლის თხულებათა სრული კრებულის VI,VII,VIII,IX,X ტომები**	თბილისი, გამომცემლობა საქართველოს მაცნე	ტ. VI - 412გვერდი ტ. VII - 390 გვერდი ტ. VIII - 590გვერდი ტ. IX - 493გვერდი ტ. X - 310 გვერდი

VI-VII ტომი: აკაკი წერეთლის **მხატვრული პროზა 1863-1912**;

VIII ტომი: **დრამატული ნაწერები;**

IX ტომი: **თარგმნილი და გადმოკეთებული თხზულებები;**

X ტომი: **თარგმნილი დრამატული თხზულებები**

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**ფრუიძე ნანა**	**სატირა აკაკი წერეთლის პუბლიცისტიკაში** სიმპოზიუმის მასალები IX საერთაშორისო სიმპოზიუმი, „ლიტერატურათმცოდეობის თანამედროვე პრობლემები“, ტრადიცია და თანამედროვე	**23-25 სექტემბერი, 2015**	**თბილისი**	

		მწერლობა			
2.	**ფრუიძე ნანა**	**აკაკი სხვა რაკურსით** აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები;	**20 ივნისი, 2015**	**გორი**	
3.	**ფრუიძე ნანა**	**აკაკი წერეთლის მოთხრობა „ის“ - ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები.** საქართველოს უნივერისტეტის VII ყოველწლიური კონფერენციის მასალები ჰუმანიტარულ მეცნიერებებში.	**30 მაისი, 2015**	**თბილისი**	
4.	**ფრუიძე ნანა**	**აკაკი წერეთლის წერილები - მგოსნის სულის სარკე** აკაკი წერეთლის დაბადებიდამ 175-ე და გარდაცვალებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის მასალები	**22-23 ოქტომბერი, 2015**	**ქუთაისი**	
5.	**ნანა ფრუიძე**	**დამატებითი მასალები ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის (ოცტომეული) VIII-XIV ტომებიდან** ახალი ტექსტოლოგიური კვლევების #2 ელ. ბიულეტენში	http://textologi.blogspot.com		

6.	ნანა ფრუიძე:	დამატებითი მასალები ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის (ოცტომეული) XV-XVIII ტომებიდან ახალი ტექსტოლოგიური კვლევების #3 ელ. ბიულეტენი	http://textologi.blogspot.com.		

1. სატირისა და იუმორის გამოვლენა აკაკი წერეთლის მხატვრულ ქმნილებებში მეტ-ნაკლები სისრულით შესწავლილია, მაგრამ ამ კუთხით დღემდე პრაქტიკულად დაუმუშავებელია პოეტის პუბლიცისტური მემკვიდრეობა. ტექსტების შესწავლამ გამოავლინა, რომ მხატვრულ და პუბლიცისტურ ქმნილებებში დადასტურებული სატირულ-იუმორისტულ პასაჟები მსგავსებასთან ერთად საინტერესო განსხვავებასაც ავლენენ. როგორც მოსალოდნელი იყო, აკაკის პუბლიცისტიკის ამ კუთხით გააზრებამ დაგვანახა, რომ მის სატირას ამ შემთხვევაშიც კონკრეტულ-ისტორიული მიზანდასახულება გააჩნია და მწერლის ტონი საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებთან დაკავშირებით, როგორც ყოველთვის, პირუთვნელი და უკომპრომისოა.

2. „აკაკი სხვა რაკურსით“

აკაკი წერეთლის ცხოვრების ბევრი ნიუანსი ჯერ კიდევ არაა სრულყოფილად გაშუქებული. წყაროებში ხშირად შესაძლებელია სრულიად ურთიერთგამომრიხავი შეფასებების ამოკითხვა. ჩვენი თაობის მეცნიერების ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ამ უდიდესი შემოქმედის ცხოვრებისა და მოღვაწეობის პირუთვნელი ასახვა და შეფასება უნდა მივიჩნიოთ.

3. „აკაკი წერეთლის მოთხრობა „ის“ - ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები“.

აკაკი წერეთლის მოთხრობა „ის“ წლების მანძილზე დაუმთავრებელ თხზულებად ითვლებოდა, რადგან მწერალს არასოდეს გამოუქვეყნებია. ამის გამო ეს ქმნილება ყოველთვის იბეჭდებოდა დამატებაში. ტექსტის ხელნაწერის შესწავლის საფუძველზე მივიჩნიეთ, რომ ნაწარმოები დასრულებულია და მისი დაუბეჭდავობა სრულიად სხვა ფაქტორებით არის ასახსნელი.

4. „აკაკი წერეთლის წერილები - მგოსნის სულის სარკე“.

მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პირადი მიმოწერა ყოველთვის იწვევდა მკვლევართა ცხარე ინტერესს, რადგან ეპისტოლური მემკვიდრეობა ერთ-ერთი ყველაზე უტყუარი წყაროა შემოქმედის ბიოგრაფიის ამა თუ იმ დეტალისა თუ ეპოქალური მნიშვნელობის ფაქტების შესახებ სარწმუნო ინფორმაციის მოსაპოვებლად. აკაკი წერეთლის ეპისტოლური მემკვიდრეობის კვლევა სრულიად ახლებურად წარმოაჩენს არა მარტო პოეტის ბიოგრაფიას, არამედ მის სულიერ სამყაროსაც. დღეს თქვენს ყურადღებას მივაპყრობთ რამდენიმე ისეთ ასპექტს, რომელთა შესახებ ვერასოდეს შევიტყობდით, რომ არა აკაკის პირადი წერილები.

5. **დამატებითი მასალები ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის (ოცტომეული) VIII-XIV ტომებიდან**

1987 წლის მატიანეში ნაწილობრივაა შეტანილიდასახელებული გამოცემის დამუშავებულ ტომებში წარმოდგენილი მასალა, უხვადგამოვლინდა მონაცემები, რომლებიც აღნუსხული არ აღმოჩნდა; ხსენებული მასალა წინასწარ შემუშავებული პრინციპების მიხედვით განლაგდა ახალ ელექტრონულ გამოცემაში. გამოვლინდა 4 ათეულზე მეტი ისეთი ჩანაწერი, რომელთა დაბეჭდვის შესახებ (ცხადია, პირველი პუბლიკაციის შემდგომ) ინფორმაცია არ არსებობდა. რიგ შემთხვევაში მატიანეში არასწორად იყო მითითებული პუბლიკაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია (მაგ. თხზულებათა სრული კრებული გამოცემის წელი ან ტომის

რიგითი ნომერი). ჩვენ ყველა მსგავსი შემთხვევა გადავამოწმეთ და როგორც კორექტურული შეცდომა - გავასწორეთ. საანგარიშო პერიოდში დამუშავებული პუბლიცისტური წერილების შესწავლისას გამოვლინდა ორი ახალი ფაქტი ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიდან. კ

6. **დამატებითი მასალები ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის (ოცტომეული) XV-XVIII ტომებიდან**

არსებითი სიახლეა XV ტომში დაბეჭდილი პუბლიცისტური წერილების აღნუსხვა და მატიანეში შეტანა. ხსენებული ტომი დაიბეჭდა 2007 წელს და მასში შევიდა ბოლო წლების ტექსტოლოგიური კვლევების შედეგად გამოვლენილი ის პუბლიცისტური წერილები, რომელთა ატრიბუცია საბოლოოდ დადგენილი არ არის. ტომი მოიცავს 1879-1904 წლებში შექმნილ 170 წერილს. თემატური თვალსაზრისით ეს წერილები ძალზე მრავალფეროვანია: *ისტორია, რელიგია, არქეოლოგია, პოლიტიკა, ეროვნული საკითხი და სწავლა-განათლება, ადმინისტრაცია და ადგილობრივი მმართველობა, სოციალური საკითხები და ინფრასტრუქტურა, სოფლის მეურნეობა, პრესა, ეთიკა,სამართალი, ჯანმრთელობა, მედიცინა, კულტურა, ქართული ენის საკითხები, საზღვარგარეთის ამბები* და ა.შ. თითოეული თემატური ჯგუფი, თავის მხრივ, ძალზე საინტერესო საკითხებზე შექმნილ სტატიებს აერთიანებს, რომელთა გაცნობა მნიშვნელოვანია ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი მემკვიდრეობის სრულყოფილად შესასწავლად. ასევე მნიშვნელოვანი სიახლეა მატიანის შევსება პირადი წერილების წყაროების შესახებ არსებული ინფორმაციით. აბსოლუტურად ყველა ტექსტს დავურთეთ მონაცემები ხელნაწერი თუ ნაბეჭდი წყაროს არსებობის შესახებ. ამასთან, სადაც ეს შესაძლებელი იყო, დაზუსტდა, ხელნაწერი წყარო ავტოგრაფია თუ ასლი;

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ჯულიეტა გაბოძე	**სიმპოზიუმის მასალები IX საერთაშორისო სიმპოზიუმი, „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“, ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა (სიმპოზიუმი მიეძღვნა აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან 100 წლისთავს)წლისთავს) 2015 წ., 23-25 სექტემბერი, თბილისი**		
2	მაია არველაძე	**სიმპოზიუმის**		

3	ელისაბედ ზარდიაშვილი	მასალები IX საერთაშორისო სიმპოზიუმი, „ლიტერატურათმცოდ ეობის თანამედროვე პრობლემები“, ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა (სიმპოზიუ მი მიეძღვნა აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან 100 წლისთავს) 2015 წ., 23-25 სექტემბერი, თბილისი	იბეჭდება	
4	ელისაბედ ზარდიაშვილი	სიმპოზიუმის მასალები IX საერთაშორისო სიმპოზიუმი, „ლიტერატურათმცოდ ეობის თანამედროვე პრობლემები“, ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა (სიმპოზიუ მი მიეძღვნა აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან 100 წლისთავს)წლისთავს) 2015 წ., 23-25 სექტემბერი, თბილისი აკაკი წერეთლის დაბადებიდან 175 და გარდაცვალებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „აკაკი და საქართველო“, 2015 წ., 17 ოქტომბერი, ხაშური		

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. აკაკის უცნობი პუბლიცისტური წერილები:

მოხსენება შეეხებოდა აკაკის თხზულევათა აკადემიურ გამოცემაში პუბლიცისტური წერილების ბეჭდვის პრინციპებს, აკაკის პუბლიცისტიკის თავისებურებებსა და კონკრეტულად რამდენიმე უცნობ პუბლიცისტურ წერილს მაგ: "ფიქრები ევროპაში", "რუსეთთან ურთიერთობის შესახებ", "იმერეთის გადაწვა მოძრაობის დროს", "სომხები და ჩვენ", "ძველი ნაშთები" და სხვ.

2. აკაკი წერეთელი ეროვნული ტრადიციების სადარაჯოზე და „სვანების საქმეში":

მოხსენება შეეხო აკაკი წერეთლის მიერ მოპოვებულ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში, ხალხურ ზღაპრებსა თუ გამონათქვამებში იმ განსხვავებულ ნიშან-თვისებებს, რაც მხოლოდ ქართულ ტრადიციებისთვის იყო დამახასიათებელი. თავის ნაწერებსა თუ გამოსვლებში ა. წერეთელი აღწერდა საქართველოს ამა თუ იმ კუთხისთვის დამახასიათებელ ტრადიციებს. 1875-1876 წლების სვანეთის შეიარაღებული აჯანყების გამო ქ. ქუთაისში 1876 წლის 1 დეკემბერს გამართულ სასამართლო პროცესზე აჯანყებულთა დამცველად გამოსული მგოსნის სიტყვამ თავისუფალი სვანეთის ფენომენის, სვანი ადამიანის ხასიათსა და ტრადიციებს შესახებ დამნაშავეებს შეუმსუბუქა სასჯელი.

1. **„აკაკის თვიური კრებული" და ხალხური ზეპირსიტყვიერება":**
   მოხსენება შეეხო აკაკი წერეთლის ღვაწლს ქართული ფოლკლორის წინაშე. პოეტმა 1897 წელს დაარსა ჟ. „აკაკის თვიური კრებული", რომელშიც სისტემატიურად იბეჭდებოდა ხალხური სიტყვიერების ნიმუშები. ამ ნიმუშებით დღესაც შეიძლება ფოლკლორული ტომების გამდიდრება. ჟურნალმა და ფონდმა რამდენიმე წელი იარსება და ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართული ხალხური სიტყვიერების შეკრების, პოპულარიზაციისა და გადარჩენის საქმეს.
2. **„აკაკი და ქართული ტრადიციები":**
   მოხსენება შეეხო აკაკის დამსახურებას ქართული ტრადიციების შენარჩუნებასა და განვითარებაში. პოეტმა მრავალი პუბლიცისტური წერილი მიუძღვნა ამ თემას და მათში აანალიზებდა ტრადიციათა დრომოჭმულსა და პროგრესულ მხარეებს.

სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.	ჯულიეტა გაბოძე	აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიური ოცტომეულის სიახლეები აკაკის უცნობი პუბლიცისტური წერილები	**საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „აკაკი და მისი ეპოქა" ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (2015 წლის22-24 ივნისი)**
2.	ჯულიეტა გაბოძე		**„ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები", ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა (სიმპოზიუმი მიეძღვნა აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან**

			100 წლისთავს) 2015 წლის 23-25სექტემბერი. თბილისი
3.	ჯულიეტა გაბოძე	აკაკის ეპისტოლური მემკვიდრეობა–ეპოქის მაჯისცემა *„აკაკისა და იაკობის ფენომენი“*	აკაკი წერეთლის დაბადებიდან 175-ე და გარდაცვალებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი ეროვნულ სამეცნიერო კონფერენცია, 22 ოქტომბერი, 2015წ; ქუთაისი
4.	ჯულიეტა გაბოძე	აკაკის კორპუსი	იაკობ გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენცია, თსუ, 27 ოქტომბერი, 2015 წ. თბილისი
5.	ჯულიეტა გაბოძე	აკაკი წერეთელი ეროვნული ტრადიციების სადარაჯოზე და „სვანების საქმეში“	დიგიტალური ჰუმანიტარია ენისა და კულტურის ელექტრონული დოკუმენტირება ბათუმის მე-4 საერთაშორისო სკოლა ფრანკფურტის გოეთეს სახ. უნივერსიტეტი. 24 აგვისტო-2 სექტემბერი 2015 წელი, ბათუმი
6.	მაია არველაძე	„აკაკის თვიური კრებული“ და ხალხური ზეპირსიტყვიერება“	IX საერთაშორისო სიმპოზიუმი, „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“, ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა (სიმპოზიუმი მიეძღვნა აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან 100 წლისთავს) 2015 წლის 23-25სექტემბერი. თბილისი
7	ელისაბედ ზარდიაშვილი	„აკაკი და ქართული ტრადიციები“	IX საერთაშორისო სიმპოზიუმი,

			„ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“, ტრადიცია და თანამედროვე
		სატირა აკაკი წერეთლის პუბლიცისტიკაში	მწერლობა (სიმპოზიუმი მიეძღვნა აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან 100 წლისთავს) 2015 წლის 23-25სექტემბერი. თბილისი
		აკაკი სხვა რაკურსით	
8	ელისაბედ ზარდიაშვილი		
		აკაკი წერეთლის მოთხრობა „ის“ - ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები.	აკაკი წერეთლის დაბადებიდან 175 და გარდაცვალებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „აკაკი და საქართველო“, 2015 წ., 17 ოქტომბერი, ხაშური
9.	ნანა ფრუიძე	აკაკი წერეთლის წერილები - მგოსნის სულის სარკე	
10.	ნანა ფრუიძე		IX საერთაშორისო სიმპოზიუმი, „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“, ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა (სიმპოზიუმი მიეძღვნა აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან 100 წლისთავს) 2015 წლის 23-25სექტემბერი. თბილისი
11.	ნანა ფრუიძე		აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია; 20 ივნისი, 2015, გორი
12.	ნანა ფრუიძე		საქართველოს უნივერისტეტის VII ყოველწლიური კონფერენცია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. 30 მაისი, 2015, თბილისი.

			აკაკი წერეთლის დაბადებიდამ 175-ე და გარდაცვალებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია. 22-23 ოქტომბერი, 2015, ქუთაისი.

1. **აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიური ოცტომეულის სიახლეები**

საკონფერენციო მოხსენება ეხებოდა იმ თანამედროვე მეცნიერულ პრინციპებს, რომელთაც ეფუძნება ეს გამოცემა და წარმოდგენილი იყო ის სიახლეები, რომლებითაც გამდიდრებულია აკადემიური ოცტომეული. სახელდობრ: ათობით უცნობი და ნაკლებად ცნობილი ლექსი, აკაკის უცნობი პოემა,პუბლიცისტური წერილები და სრულიად უცნობი დოკუმენტური მასალები და აკაკის პირადი წერილები (მათ შორის, წერილები ცოლ-შვილთან და ტასო მაჩაბელთან), რომლებიც თხზულებათა ოცტომეულში პირველად გამოქვეყნდება.

2. აკაკის უცნობი პუბლიცისტური წერილები

მოხსენება შეეხებოდა აკაკის თხზულევათა აკადემიურ გამოცემაში პუბლიცისტური წერილების ბეჭდვის პრინციპებს, აკაკის პუბლიცისტიკის თავისებურებებსა და კონკრეტულად რამდენიმე უცნობ პუბლიცისტურ წერილს მაგ: "ფიქრები ევროპაში", "რუსეთთან ურთიერთობის შესახებ", "იმერეთის გადაწვა მოძრაობის დროს", "სომხები და ჩვენ", "ძველი ნაშთები" და სხვ.

3. აკაკის ეპისტოლური მემკვიდრეობა–ეპოქის მაჯისცემა

მოხსენებაში საუბარია ახალ აკადემიურ გამოცემაში ეპისტოლური მემკვიდრეობის გამოცემის თანამედროვე პრინციპებზე: განსხვავებით წინა გამოცემებისაგან, აკადემიურ ოცტომეულში წერილები განლაგებული იქნება ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და არა ადრესატთა მიხედვით, რაც საშუალებას მისცემს მკითხველს უკეთ შეიგრძნოს მწერლის ეპოქის მაჯისცემა.

4. „აკაკისა და იაკობის ფენომენი

აკაკი წერეთლის ახლადგამოვლენილი წერილების მიხედვით, საუბარია იაკობ გოგებაშვილისა და აკაკი წერეთელის ურთიერთობაზე და ახსნილია მათი ფენომენი.

5.საზაფხულო სკოლის მსმენელთათვის მომზადდა მოხსენება **„აკაკის კორპუსის სათავეებთან"** პრეზენტაციაზე წარმოდგენილ იქნა ის მასალა (ხელნაწერები და ნაბეჭდი ტექსტები), რომლებიც საფუძვლად დაედება აკაკის კორპუსს.

6. აკაკი წერეთელი ეროვნული ტრადიციების სადარაჯოზე და „სვანების საქმეში"

მოხსენება შეეხო აკაკი წერეთლის მიერ მოპოვებულ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში, ხალხურ ზღაპრებსა თუ გამონათქვამებში იმ განსხვავებულ ნიშან-თვისებებს, რაც მხოლოდ ქართულ ტრადიციებისთვის იყო დამახასიათებელი. 1875-1876 წლების სვანეთის შეიარაღებული აჯანყების გამო ქ. ქუთაისში 1876 წლის 1 დეკემბერს გამართულ სასამართლო პროცესზე აჯანყებულთა დამცველად გამოსული მგოსნის სიტყვამ თავისუფალი სვანეთის ფენომენის, სვანი ადამიანის ხასიათსა და ტრადიციებს შესახებ დამნაშავეებს შეუმსუბუქა სასჯელი.

7. „აკაკის თვიური კრებული" და ხალხური ზეპირსიტყვიერება"

მოხსენება შეეხო აკაკი წერეთლის ღვაწლს ქართული ფოლკლორის წინაშე. პოეტმა 1897 წელს დაარსა ჟ. „აკაკის თვიური კრებული", რომელშიც სისტემატიურად იბეჭდებოდა ხალხური სიტყვიერების ნიმუშები. ამ ნიმუშებით დღესაც შეიძლება ფოლკლორული ტომების გამდიდრება. ჟურნალმა და ფონდმა რამდენიმე წელი იარსება და ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართული ხალხური სიტყვიერების შეკრების, პოპულარიზაციისა და გადარჩენის საქმეს.

8. „აკაკი და ქართული ტრადიციები"

მოხსენება შეეხო აკაკის დამსახურებას ქართული ტრადიციების შენარჩუნებასა და

განვითარებაში. პოეტმა მრავალი პუბლიცისტური წერილი მიუძღვნა ამ თემას და მათში აანალიზებდა ტრადიციათა დრომოჭმულსა და პროგრესულ მხარეებს.

9. „სატირა აკაკი წერეთლის პუბლიცისტიკაში“

მოხსენება შეეხო სატირისა და იუმორის გამოვლენას აკაკი წერეთლის მხატვრულ ქმნილებებში. აღინიშნა, რომ ამ კუთხით დღემდე პრაქტიკულად დაუმუშავებელია პოეტის პუბლიცისტური მემკვიდრეობა. ითქვა, თუ რა გამოავლინა ტექსტების შესწავლამ: მხატვრულ და პუბლიცისტურ ქმნილებებში დადასტურებული სატირულ-იუმორისტულ პასაჟები მსგავსებასთან ერთად საინტერესო განსხვავებასაც ავლენენ. როგორც მოსალოდნელი იყო, აკაკის პუბლიცისტიკის ამ კუთხით გააზრებამ დაგვანახა, რომ მის სატირას ამ შემთხვევაშიც კონკრეტულ-ისტორიული მიზანდასახულება გააჩნია და მწერლის ტონი საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებთან დაკავშირებით, როგორც ყოველთვის, პირუთვნელი და უკომპრომისოა.

10. „აკაკი სხვა რაკურსით“

მოხსენება შეეხო აკაკი წერეთლის ცხოვრების ნიუანსებს, რომლებიც ჯერ კიდევ არაა სრულყოფილად გაშუქებული. წყაროებში ხშირად შესაძლებელია სრულიად ურთიერთგამომრიცხავი შეფასებების ამოკითხვა. ჩვენი თაობის მეცნიერების ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ამ უდიდესი შემოქმედის ცხოვრებისა და მოღვაწეობის პირუთვნელი ასახვა და შეფასება უნდა მივიჩნიოთ.

11. „აკაკი წერეთლის მოთხრობა „ის“ - ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები“.

მოხსენება შეეხო აკაკი წერეთლის მოთხრობას „ის“. ეს ნაწარმოები წლების მანძილზე დაუმთავრებელ თხზულებად ითვლებოდა, რადგან მწერალს არასოდეს გამოუქვეყნებია. ამის გამო ეს ქმნილება ყოველთვის იბეჭდებოდა დამატებაში. ავხსენით, რატომ მივიჩნიეთ, რომ ნაწარმოები დასრულებულია და რამ გამოიწვია მისი დაუბეჭდავობა.

12. „აკაკი წერეთლის წერილები - მგოსნის სულის სარკე“.

მოხსენება შეეხო აკაკი წერეთლის ეპისტოლური მემკვიდრეობის კვლევის საკითხს. პირადი მიმოწერის შესწავლა სრულიად ახლებურად წარმოაჩენს არა მარტო პოეტის ბიოგრაფიას, არამედ მის სულიერ სამყაროსაც. გამოიკვეთა რამდენიმე ისეთი ასპექტი, რომელთა შესახებ ვერასოდეს შევიტყობდით, რომ არა აკაკის პირადი წერილები.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ანდრია რაზმაძის
მათემატიკის ინსტიტუტის
2015 წლის
სამეცნიერო ანგარიში

ინსტიტუტის დირექტორის მ/შ — ნინო ფარცვანია

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე — თორნიკე ქადეიშვილი

შ ი ნ ა ა რ ს ი

ზოგადი ინფორმაცია ინსტიტუტის შესახებ 3

2015 წელს გამოქვეყნებული და გამოსაქვეყნებლად გადაცემული ნაშრომები 3

საგრანტო პროექტები, რომლებიც 2015 წელს მუშავდებოდა ინსტიტუტში, ან ინსტიტუტის თანამშრომელთა მონაწილეობით. 3

სამეცნიერო მივლინებები საზღვარგარეთ 3

ინსტიტუტის საგამომცემლო საქმიანობა 4

ინსტიტუტის მიერ ან თანამონაწილეობით ჩატარებული კონფერენციები 4

განყოფილებათა ანგარიშები

მათემატიკური ანალიზის განყოფილება 6

დიფერენციალური გატოლებების განყოფილება 21

მათემატიკური ფიზიკის განყოფილება 33

დრეკადობის მათემატიკური თეორიის განყოფილება 45

გეომეტრია-ტოპოლოგიის განყოფილება 51

ალგებრის განყოფილება 56

მათემატიკური ლოგიკის განყოფილება 64

ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის განყოფილება 70

თეორიული ფიზიკის განყოფილება 77

დანართები

დანართი 1 - გამოქვეყნებული და გამოსაქვეყნებლად გადაცემული ნაშრომები 87

დანართი 2 - სამეცნიერო გრანტები 94

დანართი 3 - სამეცნიერო მივლინებები საზღვარგარეთ 97

დანართი 4 - საგამომცემლო საქმიანობა 99

ზოგადი ინფორმაცია ინსტიტუტის შესახებ

ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტში ამჟამად არის ცხრა სამეცნიერო განყოფილება: ალგებრის, მათემატიკური ლოგიკის, გეომეტრია-ტოპოლოგიის, მათემატიკური ანალიზის, დიფერენციალური განტოლებების, მათემატიკური ფიზიკის, დრეკადობის მათემატიკური თეორიის, თეორიული ფიზიკის, ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის.

2015 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით ინსტიტუტში ირიცხება 60 მეცნიერ-თანამშრომელი, მათ შორის 5 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, 1 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 32 ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი და 27 ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატია.

2015 წელს გამოქვეყნებული და გამოსაქვეყნებლად გადაცემული ნაშრომები (იხ. დანართი 1)

2015 წელს გამოქვეყნდა ინსტიტუტის თანამშრომელთა 84 ნაშრომი, მათ შორის 39 ნაშრომი იმპაქტ-ფაქორიან ჟურნალებში; გამოსაქვეყნებლად გადაეცა 58 ნაშრომი.

საგრანტო პროექტები, რომლებიც 2015 წელს მუშავდებოდა ინსტიტუტში, ან ინსტიტუტის თანამშრომელთა მონაწილეობით (იხ. დანართი 2)

2015 წელს ინსტიტუტის თანამშრომლები მონაწილეობდნენ შემდეგ საგრანტო პროექტებში:

- შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 19 სამეცნიერო გრანტი ფუნდამენტური კვლევებისათვის;
- შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 4 სამეცნიერო გრანტი უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის;
- 3 გრანტი უცხოური ფონდებიდან: Volkswagen Stiftung, Deutsche Forschungsgemeinschaft, Marie Curie's International Research Staff Exchange Scheme Grant

სამეცნიერო მივლინებები საზღვარგარეთ (იხ. დანართი 3)

2015 წელს შედგა ინსტიტუტის თანამშრომელთა 46 მივლინება უცხოურ სამეცნიერო ცენტრებში ერთობლივი სამეცნიერო კვლევების, კონფერენციებში მონაწილეობის, სემინარებზე მოხსენებების და ლექციების წასაკითხად.

ინსტიტუტის საგამომცემლო საქმიანობა
(იხ. დანართი 4)

ინსტიტუტი გამოსცემს სამ საერთაშორისო ჟურნალს:

- ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის შრომები (Proceedings of A. Razmadze Mathematical Institute)
- საქართველოს მათემატიკური ჟურნალი (Georgian Mathematical Journal)
- მემუარები დიფერენციალურ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში (Memoirs on Differential Equations and Mathematical Physics)

ინსტიტუტის მიერ ან თანამონაწილეობით ჩატარებული კონფერენციები

- თსუ ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია, 14 – 18 დეკემბერი, თბილისი.
- შვედურ-ქართული საერთაშორისო კონფერენცია ანალიზსა და დინამიკურ სისტემებში, 15-22 ივლისი, თბილისი.
- საერთაშორისო ვორკშოპი დიფერენციალურ განტოლებათა თვისებრივ თეორიაში – QUALITDE-2015, 27-29 დეკემბერი, თბილისი.
- ჩეხეთ-საქართველოს ვორკშოპი სასაზღვრო ამოცანებში WBVP-2015, 26-27 იანვარი, ბრნო, ჩეხეთის რესპუბლიკა.
- საერთაშორისო კონფერენცია ალბათობის თეორიასა და სტატისტიკაში 7-12 სექტემბერი, თბილისი.
- Selected Topics in Theoretical High Energy Physics, 21 – 27 სექტემბერი, თბილისი.
- Challenges in Contemporary Elementary Particle Physics and Quantum Field Theory", International Conference devoted to the memory of Academician A.Tavkhelidze, 30 ოქტომბერი - 1 ნოემბერი, თბილისი.
- Humboldt Kolleg, 4-6 ივლისი, თბილისი.
- International Workshop on Operator Theory and Applications (IWOTA 2015), 6-10 ივლისი, თბილისი.
- საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის VI საერთაშორისო კონფერენცია, 12-17 ივლისი, ბათუმი.

განყოფილებათა ანგარიშები

მათემატიკური ანალიზის განყოფილება

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: **ვახტანგ კოკილაშვილი**
სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა: ლაშა ეფრემიძე, ალექსანდრე მესხი, შაქრო ტეტუნაშვილი, ეთერი გორდაძე, ალექსანდრე ხარაზიშვილი, ალექსი კირთაძე, ვახტანგ პაატაშვილი, ომარ ძაგნიძე

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

#	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
	ინტეგრალური ოპერატორები ახალ ფუნქციურ სივრცეებში, გამოყენებები ელიფსური ტიპის დიფერენციალური განტოლებათა თეორიაში, ზომის თეორიისა და ფურიეს ანალიზის ზოგიერთი პრობლემა, ჰარმონიულ და ანალიზურ ფუნქციათა სასაზღვრო ამოცანები	ვახტანგ კოკილაშვილი	ლაშა ეფრემიძე ალექსანდრე მესხი შაქრო ტეტუნაშვილი ალექსანდრე ხარაზიშვილი ალექსი კირთაძე ვახტანგ პაატაშვილი ომარ ძაგნიძე ეთერი გორდაძე

კვლევითი სამუშაოს დასრულებული ეტაპის შედეგები (ანოტაცია)

შესწავლილია კვაზიმეტრიკულ სივრცეზე განსაზღვრული ზომის მიმართ განზოგადებული წილადური ინტეგრალური გარდაქმნები. დადგენილია იმ ზომების სრული დახასიათება, რომელთათვისაც ხსენებული ოპერატორები შემოსაზღვრულია არაერთგვაროვან სივრცეზე განსაზღვრულ L^p სივრცეებში. ეს შედეგი მიღებულია მოდიფიცირებული ჰარდი-ლიტლვუდის მაქსიმალური ოპერატორის L^p სივრცეში შემოსაზღვრულობის დადგენის კვალდაკვალ. დადგენილია აგრეთვე გარკვეული კლასის ინტეგრალური ოპერატორების ლორენცის სივრციდან მარცინკევიჩის სივრცეში შემოსაზღვრულობის აუცილებელი და საკმარისი პირობა.

აღწერილია გრანდ ლებეგის სივრცის მეორე პარამეტრის მნიშვნელობები, რომლისთვისაც ადგილი აქვს პოტენციალის შემოსაზღვრულობას აღნიშნულ სივრცეებში. კერძოდ ნაჩვენებია, რომ ადგილი არ აქვს წილადური ინტეგრალური ოპერატორის შემოსაზღვრულობას ორ გრანდ ლებეგის სივრცეს შორის თუ მათი მეორე პარამეტრები ტოლია. დადგენილია ერთწონიანი კრიტერიუმი პოტენციალებისათვის წონიან გრანდ ლებეგის სივრცეებში. შედეგები მიღებულია რამდენიმე წლით ადრე და არსებობდა მხოლოდ პრეპრინტის სახით.

გამოკვლეულია აპროქსიმაციის ამოცანა ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის სივრცეებში ზოგადი წონებით. წონითი ფუნქცია აკმაყოფილებს მაკენჰაუპტის ტიპის ისეთ პირობას, რომელიც კარგად არის მისადაგებული ცვლადმაჩვენებლიანი ლებეგის სივრცეებისადმი. დადგენილია განზოგადებული სიგლუვის მოდულის შეფასება ტრიგონომეტრიული პოლინომებით საუკეთესო მიახლოებით ისეთ სივრცეში, რომლის ცვლადი მაჩვენებელი ნაკლებია გამოსავალი სივრცის მაჩვენებელზე.

დადგენილია ბერნშტეინის უტოლობის ტიპის უტოლობა ტრიგონო¬მეტ¬რიული პოლინომის წილადური წარმოებულისათვის და ამ უტოლობაზე დაყრდნობით ფუნქ¬ციის წილადური წარმოებულისათვის დამტკიცებულია ჯექსონის და შებრუნებული ტიპის უტოლობები.

$L^{p(x)}$ კლასი, როცა $\min p(x)=1$, არ არის ინვარიანტული შეუღლების ოპერატორის მიმართ.

გაცემულია პასუხი კითხვაზე: რა დამატებით პირობას უნდა აკმაყოფილებდეს ფუნქცია, რომ მისი შეუღლებული იმავე კლასის ფუნქცია აღმოჩნდეს? $L^{p(x)}$ კლასის ($\min p(x)=1$) ფუნქციების განზოგადებული სიგლუვის მოდულისათვის დადგენილია ზიგმუნდის უტოლობის ტიპის უტოლობა, რის საფუძველზეც აღმოჩენილია ზემოხსენებული კლასის ქვეკლასი, რომელიც ინვარიანტულია შეუღლებული ოპერატორის მიმართ.

შემოღებულია მრავლადბმულ არეში სმირნოვის კლასების ერთი შესაძლო ვარიანტი. დადგენილია ამ კლასებისათვის ცალადბმულ არეებში ცნობილი შედეგების განზოგადებანი. გამოკვლეულია კოშის ტიპის ინტეგრალთა აღნიშნული კლასებისადმი მიკუთვნების საკითხი.

განხილულია ადიტიური ფუნქციების თვისებები ზომის თეორიის თვალსაზრისით. კერძოდ, დადგენილია, რომ არსებობს ადიტიური ფუნქცია, რომელიც აბსოლუტურად არაზომადია ლებეგის ზომის ყველა იმ გაგრძელებათა კლასის მიმართ, რომლებიც ინვარიანტულნი არიან ძვრების მიმართ. აგრეთვე დადგენილია, რომ არსებობს ადიტიური ფუნქცია, რომლის გრაფიკიც არის მასიური სიმრავლე ნამრავლი ზომის მიმართ.

მრავალგანზომილებიანი ევკლიდური სივრცისათვის შესწავლილია ჩახაზული და შემოხაზული ამოზნექილი მრავალწახნაგების კომბინატორული სტრუქტურა მათი სხვადასხვა განზომილების წახნაგების ტერმინებში. კერძოდ, ნებისმიერი ჩახაზული ამოზნექილი მრავალწახნაგისათვის დადგენილია მისი კომბინატორული სტრუქტურის მჭიდრო კავშირი შემოხაზული რადიუსის მნიშვნელობასთან.

გამოკვლეულია საკითხი ნამდვილ ჰილბერტის სივრცეში მდებარე at-სიმრავლეების სიმძლავრეების მაქსიმუმალური მნიშვნელობის შესახებ. დამტკიცებულია, რომ აღნიშნული მაქსიმუმი შეიძლება იყოს სივრცის ჰილბერტის განზომილების ტოლი და აგრეთვე მას შეიძლება ჰქონდეს ექსპონენციალური ზრდა ამავე განზომილებასთან შედარებით.

დამტკიცებულია ნებისმიერი არათვლადი ამოხსნადი ჯგუფის დაშლის შესაძლებლობა სამ თანაუკვეთ უგულებელყოფად ქვესიმრავლედ.

განხილულია ევკლიდური სიბრტყის წერტილების ნებისმიერი გაფერადება სამ ფერად და გამოკვლეულია სამივე ფერის მატარებელი ისეთი სამკუთხედების არსებობის საკითხი, რომლებიც ეკუთვნიან წინასწარ დასახელებულ ტიპს: მახვილკუთხა, მართკუთხა, ბლაგვკუთხა, ტოლფერდა. ნაჩვენებია, რომ ოთხივე აღნიშნულ შემთხვევაში არსებობს კონტინუალური რაოდენობა სამივე ფერის მატარებელი სამკუთხედების.

დადგენილია ფურიეს ექსპონენტური ორმაგი მწკრივის წევრობრივი ინტეგრების მართებულობა და მიღებული მწკრივის თანაბრად კრებადობა, რაც შეესაბამება ლებეგის თეორემას ფურიეს ორდინარული მწკრივებისათვის (1910 წელი). დადგენილია ინტეგრებული მწკრივის შემადგენელ მწკრივებად დაშლის მართებულობა და ნაპოვნია თითოეულის ჯამი. ამასთან ერთად, მოცემულია განუსაზღვრელი ორმაგი ინტეგრალის თითოეული ცვლადის მიმართ პერიოდულობის აუცილებელი და საკმარისი პირობები, როგორც ფურიეს კოეფიციენტებით ისე ინტეგრალით.

შრომაში დადგენილია კვატერნიონული ფუნქციის H-წარმოებულის არსებობის აუცილებელი და საკმარისი პირობები, იმავე ფუნქციის დიფერენციალის (ნამდვილ ცვლადთა ნაკრების მიმართ) მეშვეობით.

განხილულია წრფივი შეუღლების სასაზღვრო ამოცანა უბენ-უბან უწყვეტი კოეფიციენტით და თავისუფალი წევრით Lp(.)-იდან.საძიებელი ამოხსნა წარმოიდგინება კოშის ტიპის ინტეგრალით სიმკვრივით Lp(.)-იდან. წირი არის კარლესონის, მხოლოდ კოეფიციენტის წყვეტის წერტილებში ედება დამატებითი პირობა. იწერება ამოცანის ამონახსნი და ამოხსნადობის პირობები ცხადი სახით.

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

#	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ინტეგრალური ოპერატორები და სასაზღვრო ამოცანები ახალ ფუნქციურ სივრცეებში; ფურიეს ანალიზისა და ვეივლეტების თეორიის ახალი ასპექტები, **(ხელშეკრულების ნომერი: D/13-23, 2012-2015**)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ხელმძღვანელი. რ. გეწაძე თანახელმძღვანელი: ვ. კოკილაშვილი	ლ. ეფრემიძე ა. მესხი შ. ტეტუნაშვილი ვ. პაატაშვილი ვ. ბუღაძე თ. ტეტუნაშვილი ი. ნანობაშვილი

პროექტის დასრულებული ეტაპის შედეგები (ანოტაცია)

ბანახის ფუნქციურ მესერებში წონებით გამოკვლეულია მრავლად(ნახევრად)წრფივი იმ ინტეგრალური გარდაქმნების ასახვის თვისებები, რომლებიც გაჩენილია კვაზიჩაზნექილი ფუნქციებით. ეს გარდაქმნები მოიცავენ, მაგალითად, ჰარდი-ლიტლვუდისა და წილადურ მაქსიმალურ ფუნქციებს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ჰარმონიულ ანალიზში. დამტკიცებულია, რომ ბანახის ფუნქციურ მესერებში გარკვეული გეომეტრიული პირობით, ადგილი აქვს როგორც ერთწონიან, ასევე ორწონიან უტოლობებს ზემოხსენებული ოპერატორებისათვის. ამასთანავე, გასაშუალოებული მრავლადწრფივი ოპერატორისათვის დადგენილია ძლიერი ტიპის წონიანი უტოლობის მართებულობის აუცილებელი და საკმარისი პირობა. როგორც შედეგი, გამოყვანილია წილადური მაქსიმალური ოპერატორის შემოსაზღვრულობის ფაქტი კონკრეტულ ფუნქციურ სივრცეში.

ტრიგონომეტრიული პოლინომების წარმოებულებისათვის დამტკიცებუ¬ლია ბერნშტეინის უტოლობის ტიპის უტოლობა ცვლადმაჩვენებლიან გრანდ ლებეგის სივრცეებში. ეს უკანასკნელი აერთიანებს ორ არასტანდარტულ ფუნქციურ სივრცეს: ცვლადმაჩვენებლიან ლებეგისა და გრანდ ლებეგის სივრცეებს.

შესწავლილია ანალიზურ და ჰარმონიულ ფუნქციათა სმირნოვის ცვლადმაჩვენებლიანი კლასები, როდესაც ცვლადი მაჩვენებელი აკმაყოფილებს ლოგარითმული უწყვეტობის პირობას და მისი უმცირესი მნიშვნელობა ერთს უტოლდება. ამ კლასებში განზოგადებულია სმირნოვის, ფიხტენგოლცისა და ტუმარკინის თეორემები, რომლებიც კარგად არის ცნობილი კლასიკური სივრცეების შემთხვევაში. ჰარმონიულ ფუნქციათა ჰარდის ცვლადმაჩვენებლიან კლასებში ორი სხვადასხვა დასმით ამოხსნილია დირიხლეს ამოცანა.

დამტკიცებულია რისი-ტორინის თეორემა ცვლადმაჩვენებლიან მორის სივრცეებში მოქმედი წრფივი ოპერატორებისათვის. ამოცანა შესწავლილია კვაზიმეტრიკულ ზომიან სივრცეში. სივრცის მაჩვენებლები კვაზიმეტრიკულ ზომიან სივრცეზე განსაზღვრული ზომადი ფუნქციებია, რომლებიც თავისუფალია ყოველგვარი დამატებითი ლოგარითმული პირობისაგან.

დადგენილია ერთწონიანი და კვალის უტოლობები ერთგვაროვანი ტიპის სივრცეებზე განსაზღვრული მრავლადწრფივი წილადური ინტეგრალური ოპერატორებისათვის გრანდ ლებეგის სივრცეებში.

ნაშრომში განხილულია შესაძლებლობები მატრიც ფუნქციების მიახლოებით ფაქტორიზაციისა მათი „შეშფოთებული“ ვერსიიის მიხედვით, რომელნიც შეიძლება აღარ იყვნენ დადებითად განსაზღვრულნი. (არსებული მეთოდების ალგორითმიზაცია შესაძლებელია მხოლოდ დადებითად განსაზრვრულ შემთხვევაში).

დადგენილია ზოგადი ფუნქციური მწკრივების ერთადერთობის სიმრავლეთა სტრუქტურა.

#	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2	ჰარმონიული ანალიზის, აპრო-ქსიმაციის თეორიისა და ინტეგ-რალურ ოპერატორთა თეორიის თანამედროვე პრობლემები ახალ ფუნქციურ სივრცეებში; გამოყენებები სასაზღვრო ამო-ცანებში, **(ხელშეკრულების ნომერი: 31/47, 2013-2016)**	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ხელმძღვანელი ლ. ეფრემიძე	ვ. კოკილაშვილი ა. მესხი შ. ტეტუნაშვილი ვ. პაატაშვილი ც. ცანავა ნ. დანელია

პროექტის დასრულებული ეტაპის შედეგები (ანოტაცია)

მრავლადწრფივი წილადური ინტეგრალური გარდაქმნისა და შესაბამისი მაქსიმალური ოპერატორებისათვის დადგენილია ორწონიანი უტოლობების მართებულობის აუცილებელი და საკმარისი პირობები. გამოკვლეულია ერთწონიანი და ორწონიანი ამოცანები მრავლად (ნახევრად) წრფივი ძლიერი წილადური მაქსიმალური ფუნქციებისათვის. სახელდობრ, ამ ოპერატორებისათვის დამტკიცებულია კვალის უტოლობის მართებულობის აუცილებელი და საკმარისი პირობები. დამტკიცებულია აგრეთვე ფეფერმან-სტეინის ტიპის უტოლობა, მიღებულია ერთწონიანი უტოლობის მართებულობის აუცილებელი და საკმარისი პირობები, როცა წონით ფუნქციას აქვს ნამრავლის სახე. ამ შედეგზე დაყრდნობით რისის ნამრავლიანგულიანი პოტენციალებისათვის დადგენილია შემოსაზღვრულობა ლებეგის წონიან სივრცეში.

ი. ვეკუას აზრით განზოგადებული ანალიზური ფუნქციებისათვის გამოკვლეულია რიმანის სასაზღვრო ამოცანა სმირნოვის კლასებში ცვლადი მაჩვენებლებით. საკმარისად ფართო პირობებში სასაზღვრო წონისა და სივრცის ფუნქციური მაჩვენებლებისათვის ამოცანა ამოხსნილია სასაზღვრო პირობის ისეთი ზომადი კოეფიციენტებისათვის, რომელიც მიეკუთვნება სიმონენკოს განზოგადებულ კლასს. ეს უკანასკნელი შემოღებულია ცვლადი მაჩვენებლიანი სივრცის შესატყვისად. დადგენილია ამოხსნადობის პირობები და ამოხსნადობის შემთხვევაში ამონახსნები აგებულია ცხადი სახით.

დადგენილია ერთწონიანი უტოლობები მრავლად(ნახევრად)წრფივი მაქსიმალური ფუნქციებისა და კალდერონ-ზიგმუნდის სინგულარული ინტეგრალური ოპერატორებისათვის. განხილულია ინტეგრალური გარდაქმნები, რომლებიც განსაზღვრულია ზომიან მეტრიკულ სივრცეებზე და წონა აკმაყოფილებს მაკენჰაუპტის ვექტორული ტიპის პირობას.

განხილულია ჯერადი ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივების კრებადობისა და შეჯამებადობის საკითხები ახალ ფუნქციურ სივრცეებში. კლასიკური ლებეგის წონიანი სივრცისათვის დადგენილია, რომ არ მოიძებნება ისეთი წონითი ფუნქცია (გარკვეული ინტეგრალური პირობებით), რომლისთვისაც ჯერადი ტრიგონომეტრიული სისტემა წარმოადგენს ბაზისს შესაბამის ლებეგის წონიან სივრცეში.

მიღებულია აუცილებელი და საკმარისი პირობები წონაზე, რომლისთვისაც გულიანი ოპერატორი შემოსაზღვრულია/კომპაქტურია ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის სივრცეებში როცა სივრცის მაჩვენებელი აკმაყოფილებს სუსტ ლიფშიცის პირობას (ლოგ-პირობას) როგორც ლოკალურად ასევე უსასრულობაში. როგორც კერძო შემთხვევა მიღებულია შემოსაზღვრულობის/კომპაქტურობის კრიტერიუმები ცვლადპარამეტრიანი რიმან-ლიუვილის ოპერატორებისათვის. გულისა და წონის ტერმინებში შეფასებულია ზემოდან და ქვემოდან მანძილი გულიანი ოპერატორიდან კომპაქტურ ოპერატორთა კლასამდე.

დადგენილია დაზუსტებული მუდმივები ერთწონიან უტოლობებში ჯერადი ინტეგრალური ოპერატორებისათვის. კერძოდ მიღებულია ბაკლის ტიპის თეორემები ძლიერი მაქსიმალური ფუნქციებისა და სინგულარული და პოტენციალის ოპერატორებისათვის ნამრავლიანი გულებით.

ამოცანა შესწავლილია ცალმხრივი ინტეგრალური ოპერატორებისათვისაც.

შესწავლილია რიმანის სასაზღვრო ამოცანა განზოგადებულ ანალიზურ ფუნქციათა ცვლადმაჩვენებლიან სმირნოვის კლასებში. დადგენილია ამოხსნადობის აუცილებელი და საკმარისი პირობები. ამოხსნადობის შემთხვევაში აგებულია ამოხსნები.

ნაშრომში მოცემულია მარტივი დამტკიცება პოლინომიალური მატრიც ფუნქციის სპექტრალური ფაქტორიზაციის თეორემისა არასრული რანგის შემთხვევაში. ეს თეორემა გამოყენებულია ვეივლეტ მატრიცებისათვის შევსების ამოცანის მარტივად გადაწყვეტისთვის.

#	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
3	ზომები ალგებრულ-ტოპოლო-გიურ სტრუქტურებზე და მათი გამოყენებები, **(ხელშეკრულების ნომერი: FR/116/5-100/14, 2015-2018**)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ა. კირთაძე	ა. კირთაძე გ. ფანცულაია გ. გიორგაძე ნ. რუსიაშვილი მ. კინწურაშვილი

პროექტის დასრულებული ეტაპის შედეგები (ანოტაცია)

შესწავლილია ადიტიური ფუნქციების ზომადობის თვისებები. კერძოდ, ნაჩვენებია, რომ არსებობს ისეთი ნამდვილი ცვლადის ნამდვილმნიშვნელობიანი ადიტიური ფუნქცია, რომელიც აბსოლუტურად არაზომადია ზომათა გარკვეული კლასების მიმართ და რომლის გრაფიკის არის მასიური სიმრავლე.

შესწავლილია უსასრულო-განზომილებიან მართკუთხედზე უნიფორმულად განაწილებულ სასრულ სიმრავლეთა ზრდადი მიმდევრობის თვისებების გამოყენებით შემუშავებულია ახალი მიდგომა უსასრულო-განზომილებიანი მონტე-კარლოს ინტეგრირებისათვის და მიღებულია უსასრულო-განზომილებიანი გაძლიერებული ტიპის თეორემების მართებულობა.

#	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
4	სიმრავლეებისა და ფუნქციების ზომადობის ცნების ზოგიერთი მოდიფიკაცია და მათი გამოყენებები, **(ხელშეკ-რულების ნომერი: 31/25, 2013-2016**)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	გ. ფანცულაია	ა. ხარაზიშვილი ა. კირთაძე მ. ბერიაშვილი

პროექტის დასრულებული ეტაპის შედეგები (ანოტაცია)

შესწავლილია სიგმა-სასრულო ინვარიანტული ზომის მეტრიკული ტრანზიტულობის და სუსტად მეტრიკული ტრანზიტულობის თვისებები და დადგენილია მათ შორის ურთიერთკავშირი.

შესწავლილია ყველაშესაძლო ნამდვილ რიცხვთა სივრცეში სივრცეში სხვადასხვა ტიპის ფაზური მოძრაობის აღწერა ორდინალური და სტანდარტული ''ლებეგის ზომის'' ტერმინებში.

IV. პუბლიკაციები

1) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**ლ. ეფრემიძე** და ი. სპიტკოვსკი	მატრიცების სპექტრალური ფაქტორიზაცია შეშფოთებული მონაცემებით, **Mem. Differential Equations Math. Phys.**	66	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	17
2	**ვ. კოკილაშვილი**, მ. მასტილო და **ა. მესხი**	მრავლადწრფივი მაქსიმალური ფუნქციები და სინგულარული ინტეგრალები წონიან გრანდ ლებეგის სივრცეებში, **Proc. A. Razmadze Math. Inst.**	167	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	8
3	**ვ. კოკილაშვილი**, მ. მასტილო და **ა. მესხი**	მრავლადწრფივი წილადური ინტეგრალები წონიან გრანდ ლებეგის სივრცეებში, **Proc. A. Razmadze Math. Inst.**	169	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	10
4	**ვ. კოკილაშვილი**	ტრიგონომეტრიული პოლინომებით მიახლოების შებრუნებული უტოლობები ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის წონიან სივრცეებში, **Bull. Georgian National Academy of Sci.**	9	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა	3
5	ნ. დანელია და **ვ. კოკილაშვილი**	პერიოდული ფუნქციების წილადური წარმოებულების აპროქსიმაცია ტრიგონომეტრიული პოლინომებით და შეუღლებული ფუნქციები ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის სივრცეებში, როცა მაჩვენებლის მინიმუმი ერთის ტოლია, **Bull. Georgian National Academy Sci.**	9	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა	5
6	**ვ. კოკილაშვილი და ვ. პაატაშვილი**	ანალიზურ და ჰარმონიულ ფუნქციათა ცვლადმაჩვენებლიანი ჰარდის კლასები, **Proc. A. Razmadze Math. Inst.**	169	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	10
7	**ვ. კოკილაშვილი** და **ვ. პაატაშვილი**	განზოგადებული ანალიზური ფუნქციებისათვის რიმანის სასაზღვრო ამოცანა ცვლადმაჩვენებლიან სმირნოვის კლასებში, **Proc. A. Razmadze Math. Inst.**	169	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	23

8	**ვ. კოკილაშვილი და ვ. პაატაშვილი**	ბორის ხვედელიძის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავად, **Proc. A. Razmadze Math. Inst.**	169	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	6
9	**ა. ხარაზიშვილი**	ჩახაზული და შემოხაზული ამოზნექილი მრავალკუთხედების შესახებ, **Proc. A. Razmadze Math. Inst.**	167	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	6
10	**ა. ხარაზიშვილი**	ამოხსნადი არათვლადი ჯგუფის სამ უგულებელყოფად ქვესიმრავლედ დაყოფა, **Bulletin of TICMI**	19	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	7
11	**ა. კირთაძე**	არაზომადი ადიტიური ფუნქციების შესახებ, **Proc. A. Razmadze Math. Inst.**		ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	3
12	**ა. მესხი**	პოტენციალური ოპერატორების შემოსაზღვრულობის კრიტერიუმი გრანდ ლებეგის სივრცეებში, **Proc. A. Razmadze Math. Inst.**	169	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	13
13	**ვ. პაატაშვილი**	ანალიზურ ფუნქციათა სმირნოვის კლასები ცვლადი მაჩვენებლებით მრავლადბმულ არეებში, **Bull. Georgian National Academy of Sci.**	9	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა	7
14	**შ. ტეტუნაშვილი**	ფუნქციური მწკრივების ერთადერთობის სიმრავლეების ზოგიერთი თვისება, **Bull. Georgian National Academy of Sci.**	9	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა	3

ანოტაციები

1. ნაშრომში განხილულია შესაძლებლობები მატრიც ფუნქციების მიახლოებით ფაქტორიზაციისა მათი „შეშფოთებული“ ვერსიიის მიხედვით, რომელნიც შეიძლება აღარ იყვნენ დადებითად განსაზღვრულნი. (არსებული მეთოდების ალგორითმიზაცია შესაძლებელია მხოლოდ დადებითად განსაზრვრულ შემთხვევაში).
2. დადგენილია ერთწონიანი უტოლობები მრავლადწრფივი ჰარდი-ლიტლვუდისა და კალდერონ-ზიგმუნდის ოპერატორებისათვის გრანდ ლებეგის სივრცეებში. ოპერატორები და სივრცეები განსაზღვრულია კვაზიმეტრიკულ ზომიან სივრცეზე ზომაზე გაორმაგების პირობით.
3. დადგენილია ერთწონიანი და კვალის უტოლობები ერთგვაროვანი ტიპის სივრცეებზე განსაზღვრული მრავლადწრფივი წილადური ინტეგრალური ოპერატორებისათვის გრანდ ლებეგის სივრცეებში.
4. გამოკვლეულია აპროქსიმაციის ამოცანა ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის სივრცეებში ზოგადი წონებით. წონითი ფუნქცია აკმაყოფილებს მაკენჰაუპტის ტიპის ისეთ პირობას, რომელიც კარგად არის მისადაგებული ცვლადმაჩვენებლიანი ლებეგის სივრცეებისადმი. დადგენილია განზოგადებული სიგლუვის მოდულის შეფასება ტრიგონომეტრიული პოლინომებით საუკეთესო

მიახლოებით ისეთ სივრცეში, რომლის ცვლადი მაჩვენებელი ნაკლებია გამოსავალი სივრცის მაჩვენებელზე.

5. დადგენილია ბერნშტეინის უტოლობის ტიპის უტოლობა ტრიგონომეტრიული პოლინომის წილადური წარმოებულისათვის და ამ უტოლობაზე დაყრდნობით ფუნქციის წილადური წარმოებულისათვის დამტკიცებულია ჯექსონის და შებრუნებული ტიპის უტოლობები.

$L^{p(x)}$ კლასი, როცა $\min p(x)=1$, არ არის ინვარიანტული შეუღლების ოპერატორის მიმართ. გაცემულია პასუხი კითხვაზე: რა დამატებით პირობას უნდა აკმაყოფილებდეს ფუნქცია, რომ მისი შეუღლებული იმავე კლასის ფუნქცია აღმოჩნდეს? $L^{p(x)}$ კლასის ($\min p(x)=1$) ფუნქციების განზოგადებული სიგლუვის მოდულისათვის დადგენილია ზიგმუნდის უტოლობის ტიპის უტოლობა, რის საფუძველზეც აღმოჩენილია ზემოხსენებული კლასის ქვეკლასი, რომელიც ინვარიანტულია შეუღლებული ოპერატორის მიმართ.

6. შესწავლილია ანალიზურ და ჰარმონიულ ფუნქციათა სმირნოვის ცვლადმაჩვენებლიანი კლასები, როდესაც ცვლადი მაჩვენებელი აკმაყოფილებს ლოგარითმული უწყვეტობის პირობას და მისი უმცირესი მნიშვნელობა ერთს უტოლდება. ამ კლასებში განზოგადებულია სმირნოვის, ფიხტენგოლცისა და ტუმარკინის თეორემები, რომლებიც კარგად არის ცნობილი კლასიკური სივრცეების შემთხვევაში. ჰარმონიულ ფუნქციათა ჰარდის ცვლადმაჩვენებლიან კლასებში ორი სხვადასხვა დასმით ამოხსნილია დირიხლეს ამოცანა.

7. ი. ვეკუას აზრით განზოგადებული ანალიზური ფუნქციებისათვის გამოკვლეულია რიმანის სასაზღვრო ამოცანა სმირნოვის კლასებში ცვლადი მაჩვენებლებით. საკმარისად ფართო პირობებში სასაზღვრო წონისა და სივრცის ფუნქციური მაჩვენებლებისათვის ამოცანა ამოხსნილია სასაზღვრო პირობის ისეთი ზომადი კოეფიციენტებისათვის, რომელიც მიეკუთვნება სიმონენკოს განზოგადებულ კლასს. ეს უკანასკნელი შემოღებულია ცვლადი მაჩვენებლიანი სივრცის შესატყვისად. დადგენილია ამოხსნადობის პირობები და ამოხსნადობის შემთხვევაში ამონახსნები აგებულია ცხადი სახით.

8. გადმოცემულია ბორის ხვედელიძის ძირითად სამეცნიერო ნაშრომთა მიმოხილვა, საიდანაც ჩანს ის დიდი ღვაწლი რაც ამ ნაშრომებმა შეიტანეს ანალიზურ ფუნქციათა სასაზღვრო ამოცანათა თეორიაში და სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებებში. გადმოცემულია აგრეთვე ბორის ხვედელიძის ბიოგრაფიის არსებითი მომენტები.

9. ნაშრომში მრავალგანზომილებიანი ევკლიდური სივრცისათვის შესწავლილია ჩახაზული და შემოხაზული ამოზნექილი მრავალწახნაგების კომბინატორული სტრუქტურა მათი სხვადასხვა განზომილების წახნაგების ტერმინებში. კერძოდ, ნებისმიერი ჩახაზული ამოზნექილი მრავალწახნაგისათვის დადგენილია მისი კომბინატორული სტრუქტურის მჭიდრო კავშირი შემოხაზული რადიუსის მნიშვნელობასთან.

10. ნაშრომში დამტკიცებულია ნებისმიერი არათვლადი ამოხსნადი ჯგუფის დაშლის შესაძლებლობა სამ თანაუკვეთ უგულებელყოფად ქვესიმრავლედ.

11. განხილულია ადიტიური ფუნქციების თვისებები ზომის თეორიის თვალსაზრისით. კერძოდ, დადგენილია, რომ არსებობს ადიტიური ფუნქცია, რომელიც აბსოლუტურად არაზომადია ლებეგის ზომის ყველა იმ გაგრძელებათა კლასის მიმართ, რომლებიც ინვარიანტულნი არიან ძვრების მიმართ. აგრეთვე დადგენილია, რომ არსებობს ადიტიური ფუნქცია, რომლის გრაფიკიც არის მასიური სიმრავლე ნამრავლი ზომის მიმართ.

12. სტატიაში აღწერილია გრანდ ლებეგის სივრცის მეორე პარამეტრის მნიშვნელობები, რომლისთვისაც ადგილი აქვს პოტენციალის შემოსაზღვრულობას აღნიშნულ სივრცეებში. კერძოდ ნაჩვენებია, რომ ადგილი არ აქვს წილადური ინტეგრალური ოპერატორის შემოსაზღვრულობას ორ გრანდ ლებეგის სივრცეს შორის თუ მათი მეორე პარამეტრები ტოლია. დადგენილია ერთწონიანი კრიტერიუმი პოტენციალებისათვის წონიან გრანდ ლებეგის სივრცეებში. შედეგები მიღებულია რამდენიმე წლით ადრე და არსებობდა მხოლოდ პრეპრინტის სახით.

13. შემოღებულია მრავლადბმულ არეში სმირნოვის კლასების ერთი შესაძლო ვარიანტი. დადგენილია ამ კლასებისათვის ცალადბმულ არეებში ცნობილი შედეგების განზოგადებანი.

გამოკვლეულია კოშის ტიპის ინტეგრალთა აღნიშნული კლასებისადმი მიკუთვნების საკითხი. 14. დადგენილია ზოგადი ფუნქციური მწკრივების ერთადერთობის სიმრავლეთა სტრუქტურა.

2) უცხოეთში

სტატიები (*-ით აღნიშნულია იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები)

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1*	**ლ. ეფრემიძე**, ე. ლაგვილავა და ი. სპიტკოვსკი	რანგით დეფიციტური სპექტრალური ფაქტორიზაცია და ვეივლეტების შევსების პრობლემა, **Intern. J. Wavelets, Multiresolution and Information Precessing**	13	World Scientific (Singapure)	8
2*	**ვ. კოკილაშვილი** და **ა. მესხი**	წონიანი ბერნშტეინის ტიპის უტოლობები გრანდ ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის სივრცეებში, **Math. Ineq. & Appl.**	18	Ele-Math	12
3*	**ვ. კოკილაშვილი**, მ. მასტილო და **ა. მესხი**	ორწონიანი ნორმით შეფასებები მრავლადწრფივი წილადური ინტეგრალებისათვის ლებეგის კლასიკურ სივრცეებში, **Fract. Calc. Appl. Anal.**	18	Walter De Gruyter & Co	17
4*	**ვ. კოკილაშვილი**, მ. მასტილო და **ა. მესხი**	წილადური ინტეგრალური ოპერატორები ბანახის ფუნქციურ მესერთა შორის, **Nonlinear Anal. Theory, Methods and Appl.**	117	Elsevier	10
5*	**ვ. კოკილაშვილი**, მ. მასტილო და **ა. მესხი**	მრავლადნახევრად წრფივი მაქსიმალური ტიპის ოპერატორები ბანახის ფუნქციურ მესერებში, **J. Math. Anal. Appl.**	421	Elsevier	12
6*	**ა. ხარაზიშვილი**	*at* -სიმრავლეების კარდინალურობის შესახებ ნამდვილ ჰილბერტის სივრცეში, **Georgian Math. J.**	22	Walter De Gruyter & Co	5
7*	**ა. ხარაზიშვილი**	ევკლიდის სივრცის სამი ფერით გაფერადების შესახებ, **Georgian Math. J.**	22	Walter De Gruyter & Co	3
8*	**ა. ხარაზიშვილი**	აბსოლუტურად ნულ-სიმრავლეების ბიექციური უწყვეტი ანასახები, **Ukrain. Math. J.**	67	Springer	4
9*	**ა. მესხი,** ჰ. რაფეირო და მ. ზაიგუმი	კვაზიმეტრიკულ ზომიან სივრცეებზე განსაზღვრული ცვლადმაჩვენებლიანი მორის სივრცეების ინტერპოლაცია, **J. Funct. Analysis**	doi:10.1016/j.jfa.2015.11.013	Elsevier	12
10*	**ვ. პაატაშვილი**	ანალიზურ ფუნქციათა ცვლადმაჩვენებლიანი სმირნოვის კლასები მრავლადბმულ არეებში,	DOI 1080/17476933.2015.1053474	Taylor & Francis	10

		Comp. Var. and Ellipt. Equations.			
11*	**ო. ძაგნიძე**	კვატერნიონული ფუნქციების H - დიფერენცირებადობის აუცილებელი და საკმარისი პირობა, **Georgian Math. J.**	22	Walter De Gruyter & Co	4

ანოტაციები

1. ნაშრომში მოცემულია დამტკიცება პოლინომიალური მატრიც ფუნქციის სპექტრალური ფაქტორიზაციის თეორემისა არასრული რანგის შემთხვევაში. ეს თეორემა გამოყენებულია ვეივლეტ მატრიცებისათვის შევსების ამოცანის მარტივად გადაწყვეტისთვის.

2. ტრიგონომეტრიული პოლინომების წარმოებულებისათვის დამტკიცებულია ბერნშტეინის უტოლობის ტიპის უტოლობა ცვლადმაჩვენებლიან გრანდ ლებეგის სივრცეებში. ეს უკანასკნელი აერთიანებს ორ არასტანდარტულ ფუნქციურ სივრცეს: ცვლადმაჩვენებლიან ლებეგისა და გრანდ ლებეგის სივრცეებს..

3. მრავლადწრფივი წილადური ინტეგრალური გარდაქმნისა და შესაბამისი მაქსიმალური ოპერატორებისათვის დადგენილია ორწონიანი უტოლობების მართებულობის აუცილებელი და საკმარისი პირობები. გამოკვლეულია ერთწონიანი და ორწონიანი ამოცანები მრავლად(ნახევრად)წრფივი ძლიერი წილადური მაქსიმალური ფუნქციებისათვის. სახელდობრ, ამ ოპერატორებისათვის დამტკიცებულია კვალის უტოლობის მართებულობის აუცილებელი და საკმარისი პირობები. დამტკიცებულია აგრეთვე ფეფერმან-სტეინის ტიპის უტოლობა, მიღებულია ერთწონიანი უტოლობის მართებულობის აუცილებელი და საკმარისი პირობები, როცა წონით ფუნქციას აქვს ნამრავლის სახე. ამ შედეგზე დაყრდნობით რისის ნამრავლიანგულიანი პოტენციალებისათვის დადგენილია შემოსაზღვრულობა ლებეგის წონიან სივრცეში.

4. შესწავლილია კვაზიმეტრიკულ სივრცეზე განსაზღვრული ზომის მიმართ განზოგადებული წილადური ინტეგრალური გარდაქმნები. დადგენილია იმ ზომების სრული დახასიათება, რომელთათვისაც ხსენებული ოპერატორები შემოსაზღვრულია არაერთგვაროვან სივრცეზე განსაზღვრულ L^p სივრცეებში. ეს შედეგი მიღებულია მოდიფიცირებული ჰარდი-ლიტლვუდის მაქსიმალური ოპერატორის L^p სივრცეში შემოსაზღვრულობის დადგენის კვალდაკვალ. დადგენილია აგრეთვე გარკვეული კლასის ინტეგრალური ოპერატორების ლორენცის სივრციდან მარცინკევიჩის სივრცეში შემოსაზღვრულობის აუცილებელი და საკმარისი პირობა.

5. ბანახის ფუნქციურ მესერებში წონებით გამოკვლეულია მრავლად (ნახევრად) წრფივი იმ ინტეგრალური გარდაქმნების ასახვის თვისებები, რომლებიც გაჩენილია კვაზიჩაზნექილი ფუნქციებით. ეს გარდაქმნები მოიცავენ, მაგალითად, ჰარდი-ლიტლვუდისა და წილადურ მაქსიმალურ ფუნქციებს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ჰარმონიულ ანალიზში. დამტკიცებულია, რომ ბანახის ფუნქციურ მესერებში გარკვეული გეომეტრიული პირობით, ადგილი აქვს როგორც ერთწონიან, ასევე ორწონიან უტოლობებს ზემოხსენებული ოპერატორებისათვის. ამასთანავე, გასაშუალოებული მრავლადწრფივი ოპერატორისათვის დადგენილია ძლიერი ტიპის წონიანი უტოლობის მართებულობის აუცილებელი და საკმარისი პირობა. როგორც შედეგი, გამოყვანილია წილადური მაქსიმალური ოპერატორის შემოსაზღვრულობის ფაქტი კონკრეტულ ფუნქციურ სივრცეში.

6. სტატიაში გამოკვლეულია საკითხი ნამდვილ ჰილბერტის სივრცეში მდებარე at-სიმრავლეების სიმძლავრეების მაქსიმალური მნიშვნელობის შესახებ. დამტკიცებულია, რომ აღნიშნული მაქსიმუმი შეიძლება იყოს სივრცის ჰილბერტის განზომილების ტოლი და აგრეთვე მას შეიძლება ჰქონდეს ექსპონენციალური ზრდა ამავე განზომილებასთან შედარებით.

7. სტატიაში განხილულია ევკლიდური სიბრტყის წერტილების ნებისმიერი გაფერადება სამ ფერად და გამოკვლეულია სამივე ფერის მატარებელი ისეთი სამკუთხედების არსებობის საკითხი, რომლებიც ეკუთვნიან წინასწარ დასახელებულ ტიპს: მახვილკუთხა, მართკუთხა, ბლაგვკუთხა, ტოლფერდა. ნაჩვენებია, რომ ოთხივე აღნიშნულ შემთხვევაში არსებობს კონტინუალური რაოდენობა სამივე ფერის

მატარებელი სამკუთხედების.

8. სტატიაში გამოკვლეულია ნამდვილი ღერძის აბსოლუტურად ნულზომადი ქვესიმრავლეების ყოფაქცევა სხვადასხვა ტიპის უწყვეტი ასახვების მიმართ. კერძოდ, მარტინის აქსიომის დაშვებით დადგენილია, რომ არსებობს ისეთი აბსოლუტურად ნულზომადი სიმრავლე, რომლის გარკვეული ბიექციური უწყვეტი ანასახი არის აბსოლუტურად არაზომადი ყველა არანულოვან სიგმა-სასრულ დიფუზურ ბორელის ზომათა გასრულებების კლასის მიმართ.
9. დამტკიცებულია რისი-ტორინის თეორემა ცვლადმაჩვენებლიან მორის სივრცეებში მოქმედი წრფივი ოპერატორებისათვის. ამოცანა შესწავლილია კვაზიმეტრიკულ ზომიან სივრცეში. სივრცის მაჩვენებლები კვაზიმეტრიკულ ზომიან სივრცეზე განსაზღვრული ზომადი ფუნქციებია, რომლებიც თავისუფალია ყოველგვარი დამატებითი ლოგარითმული პირობისაგან.
10. შემოღებულია მრავლადბმულ არეში სმირნოვის კლასების ერთი შესაძლო ვარიანტი. დადგენილია ამ კლასებისათვის ცალადბმულ არეებში ცნობილი შედეგების განზოგადებანი. გამოკვლეულია კოშის ტიპის ინტეგრალთა აღნიშნული კლასებისადმი მიკუთვნების საკითხი.
11. შრომაში დადგენილია კვატერნიონული ფუნქციის H -წარმოებულის არსებობის აუცილებელი და საკმარისი პირობები, იმავე ფუნქციის დიფერენციალის (ნამდვილ ცვლადთა ნაკრების მიმართ) მეშვეობით.

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ლ. ეფრემიძე	რანგით დეფიციტური სპექტრალური ფაქტორიზაცია და ვეივლეტების შევსების პრობლემა, **საერთაშორისო ვორკშოპი ოპერატორების თეორიასა და გამოყენებებში (IWOTA-2015)**	06-10 ივლისი, თბილისი, 2015
2	ლ. ეფრემიძე	ნამდვილი ანალიზის მეთოდები ერგოდულობის თეორიაში, **შვედურ-ქართული საერთაშორისო კონფერენცია ანალიზსა და დინამიკურ სისტემებში**	15-22 ივლისი, თბილისი, 2015 **(პლენარული მოხსენება)**
3	ვ. კოკილაშვილი	ზუსტი, პირდაპირი და შებრუნებული ტიპის უტოლობები ლებეგის ცვლადმაჩვენებლიან წონიან სივრცეებში მთელ ღერძზე, **შვედურ-ქართული საერთაშორისო კონფერენცია ანალიზსა და დინამიკურ სისტემებში**	15-22 ივლისი, თბილისი, 2015
4	ვ. კოკილაშვილი	სინგულარული ინტეგრალები ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის სივრცეებში, ზიგმუნდის უტოლობის ტიპის უტოლობა, ახალი ინვარიანტული ქვეკლასი, **ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია**	14-18 დეკემბერი, თბილისი, 2015

5	ა. კირთაძე	დინამიკური სისტემების არასეპარაბელური გაგრძელებების შესახებ, **შვედურ-ქართული საერთაშორისო კონფერენცია ანალიზსა და დინამიკურ სისტემებში**	15-22 ივლისი, თბილისი, 2015
6	ა. კირთაძე	ზომის თვალსაზრისით უგულებელყოფადი სიმრავლეების შესახებ, **ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია**	14-18 დეკემბერი, თბილისი, 2015
7	ა. მესხი	მრავლადწრფივი ინტეგრალური ოპერატორები ბანახის ზოგიერთ არასტანდარტულ ფუნქციურ სივრცეში, **შვედურ-ქართული საერთაშორისო კონფერენცია ანალიზსა და დინამიკურ სისტემებში**	15-22 ივლისი, თბილისი, 2015
8	ა. მესხი	წილადური ინტეგრალური ოპერატორები ბანახის ფუნქციურ მესერებში, **საერთაშორისო ვორკშოპი ოპერატორების თეორიასა და გამოყენებებში (IWOTA-2015)**	06-10 ივლისი, თბილისი, 2015 (მოწვეული მომხსენებელი)
9	ა. მესხი	რისი-ტორინის საინტერპოლაციო თეორემის ტიპის თეორემა მორის ტიპის სივრცეებისათვის, **ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია**	14-18 დეკემბერი, თბილისი, 2015
10	შ. ტეტუნაშვილი	ფუნქციური მწკრივების ერთადერთობის შესახებ, **შვედურ-ქართული საერთაშორისო კონფერენცია ანალიზსა და დინამიკურ სისტემებში**	15-22 ივლისი, თბილისი, 2015
11	შ. ტეტუნაშვილი	$\mathcal{E}$ -ერთადერთობის სისტემების შესახებ, **ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია**	14-18 დეკემბერი, თბილისი, 2015
12	ო. ძაგნიძე	ფურიეს ინტეგრებული ორმაგი ტრიგონომეტრიული მწკრივის თანაბრად კრებადობა, **საქართველოს მათემატიკოსთა VI საერთაშორისო კონფერენცია**	12-15 ივლისი, ბათუმი, 2015
13	ო. ძაგნიძე	ორმაგი მწკრივების ინტეგრებით მიღებული მწკრივების კრებადობის შესახებ, **ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია**	14-18 დეკემბერი, თბილისი, 2015
14	ვ. პაატაშვილი	რიმან-ჰილბერტის ამოცანა განზოგადებულ ანალიზურ ფუნქციათა კლასებში, **შვედურ-ქართული საერთაშორისო კონფერენცია ანალიზსა და დინამიკურ სისტემებში**	15-22 ივლისი, თბილისი, 2015
15	ვ. პაატაშვილი	ცვლადმაჩვენებლიანი ჰარდის კლასები. დირიხლეს ამოცანა, **ა. რაზმაძის**	14-18 დეკემბერი, თბილისი, 2015

		მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია	
16	ე. გორდაძე	წრფივი შეუღლების ამოცანის შესახებ, ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია	14-18 დეკემბერი, თბილისი, 2015
17	ა. ხარაზიშვილი	არანულოვანი სიგმა–სასრული ინვარიანტული ზომის ყველა ინვარიანტულ გაგრძელებათა ოჯახის სიმძლავრის შესახებ, ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია	14-18 დეკემბერი, თბილისი, 2015

მოხსენებათა ანოტაციები

1. მოცემული იყო დამტკიცება პოლინომიალური მატრიც ფუნქციის სპექტრალური ფაქტორიზაციის თეორემისა არასრული რანგის შემთხვევაში. ეს თეორემა გამოყენებულია ვეივლეტ მატრიცებისათვის შევსების ამოცანის მარტივად გადაწყვეტისთვის.
2. გადმოცემული იყო ნამდვილი ანალიზის მეთოდების გამოყენებით მიღებული შედეგები ერგოდულობის თეორიაში.
3. წარმოდგენილი იყო რიგის თვალსაზრისით გაუუმჯობესებადი პირდაპირი და შებრუნებული უტოლობები სასრული რიგის მთელი ფუნქციებით მიახლოების შესახებ მთელ ღერძზე განსაზღვრულ ლებეგის ცვლადმაჩვენებლიან წონიან სივრცეებში.
4. წარმოდგენილი იყო ბერნშტეინისა და ნიკოლსკის უტოლობების განზოგადება ბანახის არასტანდარტულ წონიან ფუნქციურ სივრცეებში და მათი გამოყენება ფუნქციათა მიახლოების საკითხებში.
5. განხილულ იქნა არასეპარაბელური დინამიკური სისტემების თვისებები და დინამიკური სისტემების არასეპარაბელური გაგრძელებების ზოგიერთი მეთოდი.
6. მოხსენებაში განხილულ იქნა ზომის თვალსაზრისით უგულებელყოფადი სიმრავლეების თვისებები სხვადასხვა ოპერაციების მიმართ.
7. გადმოცემული იყო ავტორის მიერ ვ. კოკილაშვილთან და მ. მასტილოსთან თანაავტორობით მიღებული შედეგები მრავლადსუბწრფივი მაქსიმალური ფუნქციებისა და მრავლადწრფივი სინგულარული და წილადური ინტეგრალური ოპერატორების შემოსაზღვრულობის შესახებ წონიან გრანდ ლებეგის სივრცეებში. კერძოდ, მოყვანილი იყო ერთწონიანი უტოლობები აღნიშნული ოპერატორებისათვის და აღწერილი იყო კვალის უტოლობა მრავლადწრფივი პოტენციალებისათვის.
8. მოყვანილი იყო შედეგები, რომლებიც ეხება ზომით განსაზღვრული განზოგადებული გულიანი წილადური ტიპის ინტეგრალური ოპერატორების შემოსაზღვრულობას როგორც ლებეგის, ასევე სხვა ფუნქციურ სივრცეებში. მიღებული იყო აუცილებელი და საკმარისი პირობა ზომაზე, რომლისთვისაც ამ ზომით გაჩენილი განზოგადებული წილადური ინტეგრალური ოპერატორი შემოსაზღვრულია ლებეგის სივრცეებში. აღწერილი იყო გულიანი ინტეგრალური ოპერატორის შემოსაზღვრულობა ლორენცის სივრციდან მარცინკევიჩის სივრცეში. მოხსენება ეყრდნობა მიერ ვ. კოკილაშვილთან და მ. მასტილოსთან შესრულებულ კვლევებს.
9. დამტკიცებულია რისი-ტორინის ტიპის საინტერპოლაციო თეორემა ცვლადმაჩვენებლიან გრანდ მორის სივრცეებში.
10. დადგენილია ფუნქციათა მწკრივების ერთადერთობის სიმრავლეების სტრუქტურა და მათი ზოგიერთი თვისება.
11. დადგენილია $\mathcal{E}$ -ერთადერთობის ჯერადი სისტემებისათვის ერთადერთობის სიმრავლეთა ზომის ზუსტი შეფასება.
12. მოხსენებული იყო ფურიეს ორივე ფორმის (ნამდვილი და კომპლექსური) ორმაგი ტრიგონომეტრიული მწკრივის წევრობრივი ინტეგრებით მიღებული მწკრივის და მისი შემადგენელი მწკრივების თანაბრად კრებადობის შესახებ და ფურიეს კოეფიციენტების თვისება

რიცხვითი ორმაგი მწკრივების კრებადობის სახით.
13. განხილულ იქნა ჯერადი ფურიეს ტრიგონოტრიული მწკრივების წევრობით ინტეგრებით მიღებული მწკრივების კრებადობის საკითხები.
14. მოხსენებაში გადმოცემული იყო ი. ვეკუას აზრით განზოგადებული ანალიზური ფუნქციებისათვის რიმან-ჰილბერტის ამოცანის ამოხსნა.
15. შემოღებულია ცვლადმაჩვენებლიანი ჰარდის კლასები, განზოგადებულია ფიხტენგოლცის, ტუმარკინისა და სმირნოვის თეორემები. ამოხსნილია დირიხლეს ამოცანა ორი სხვადასხვა დასმით, როცა სივრცის მაჩვენებლის მინიმუმი უდრის ერთს.
16. განხილულია ანალიზურ ფუნქციათა წრფივი შეუღლების ამოცანა სასაზღვრო პირობაში კოეფიციენტებისა და წირზე გარკვეული დაშვების პირობებში.
17. განხილულ იქნა საკითხი არანულოვანი სიგმა–სასრული ინვარიანტული ზომის ყველა ინ-ვარიანტულ გაგრძელებათა ოჯახის სიმძლავრის შესახებ.

2) უცხოეთში

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ა. კირთაძე	ადიტიური ფუნქციების ზოგიერთი ზომადობის ტვისების შესახებ, **43-ე საზამთრო სკოლა აბსტრაქტულ ანალიზში**	10-17 იანვარი, 2015, პრაღა, ჩეხეთის რესპუბლიკა
2	ა. კირთაძე	მოცულობის ტიპის ფუნქციონალები ევკლიდურ გეომეტრიაში, **მე-12 კონფერენცია გეომეტრიასა და მის გამოყენებებში**	1-6 სექტემბერი, 2015, ვარნა, ბულგარეთი
3	ვ. კოკილაშვილი	მიახლოების პრობლემები ბანახის ახალი არასტანდარტული სივრცეების ჩარჩოებში, **ამერიკის, ევროპისა და პორტუგალიის მათემატიკური საზო-გადოებები ერთობლივი კონფერენცია**	10-13 ივნისი, 2015, პორტო, პორტუგალია
4	ა. მესხი	ცალმხრივი ოპერატორები წონიან გრანდ ლებეგის სივრცეებში, **ამერიკის, ევროპისა და პორტუგალიის მათემატიკური საზოგადოებები ერთობლივი კონფერენცია**	10-13 ივნისი, 2015, პორტო, პორტუგალია
5	ა. ხარაზიშვილი	ჰილბერტის სივრცის *at* -ქვესიმრავ-ლეების სიმძლავრეების შესახებ, **43-ე საზამთრო სკოლა აბსტრაქტულ ანალიზში**	10-17 იანვარი, 2015, პრაღა, ჩეხეთის რესპუბლიკა
6	ა. ხარაზიშვილი	მახვილკუთხა სამკუთხედები განა-თების პრობლემის კონტექსტში, **მე-12 კონფერენცია გეომეტრიასა და მის გამოყენებებში**	1-6 სექტემბერი, 2015, ვარნა, ბულგარეთი

მოხსენებათა ანოტაციები

1. მოხსენებაში განხილული იყო ადიტიური ფუნქციების ზომადობის თვისებები. კერძოდ, დადგენილ იქნა, რომ არსებობენ ზომათა გარკვეული კლასების მიმართ აბსოლუტურად არაზომადი ადიტიური ფუნქციები. აგრეთვე, მოყვანილ იქნა ზომის გაგრძელების ამოცანა, სადაც არსებით როლს

თამაშობს მასიური გრაფიკის მქონე ფუნქციები.
2. მოხსენებაში განხილული იყო მოცულობის ტიპის ფუნქციონალების თვისებები ზომის თეორიის თვალსაზრისით.
3. წარმოდგენილი იყო ბერნშტეინისა და ნიკოლსკის ფუნდამენტური უტოლობების განზოგადება ბანახის არასტანდარტულ წონიან სივრცეებში და მათი გამოყენება ფუნქციათა აპროქსიმაციის საკითხებში.
4. მოყვანილი იყო ცალმხრივი ინტეგრალური ოპერატორების (ცალმხრივი მასიმალური, სინგულარული და წილადური ინტეგრალები) შემოსაზღვრულობა დაზუსტებულ ცვლადმაჩვენებლიანი გრანდ ლებეგის სივრცეებში იმ შემთხვევაში, როცა სივრცის მაჩვენებელი აკმაყოფილებს ცალხრივ ლოგარითმულ პირობას (ცალმხრივი სუსტი ლიფშიცის პირობას), რომელიც უფრო სუსტია ვიდრე დინი-ლიშიცის პირობა.
5. მოხსენება მიეძღვნა ნამდვილი ჰილბერტის სივრცის ე.წ. at-სიმრავლეების სიმძლავრეების კვლევას.
6. მოხსენება მიეძღვნა ევკლიდურ სივრცეში მდებარე მკაცრ at-სიმრავლეებს და მათ მჭიდრო კავშირებს ამოზნექილი კომპაქტური სხეულის განათების ამოცანასთან.

სხვა ინფორმაცია:

1. სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა:

1) ინტეგრალური ოპერატორები და სასაზღვრო ამოცანები ახალ ფუნქციურ სივრცეებში; ფურიეს ანალიზისა და ვეივლეტების თეორიის ახალი ასპექტები, **(ხელშეკრულების ნომერი: D/13-23, 2012-2015**). **მონაწილეები:** ვ. კოკილაშვილი (პროექტის თანახელმძღვანელი), ა. მესხი, შ. ტეტუნაშვილი, ვ. პაატაშვილი

2) ჰარმონიული ანალიზის, აპროქსიმაციის თეორიისა და ინტეგრალურ ოპერატორთა თეორიის თანამედროვე პრობლემები ახალ ფუნქციურ სივრცეებში; გამოყენებები სასაზღვრო ამოცანებში, **(ხელშეკრულების ნომერი: 31/47, 2013-2016**). **მონაწილეები:** ლ. ეფრემიძე (პროექტის ხელმძღვანელი), ვ. კოკილაშვილი, ა. მესხი, შ. ტეტუნაშვილი, ვ. პაატაშვილი.

3) ზომები ალგებრულ-ტოპოლოგიურ სტრუქტურებზე და მათი გამოყენებები, **(ხელშეკრულების ნომერი: FR/116/5-100/14, 2015-2017**), **მონაწილე:** ა. კირთაძე (პროექტის ხელმძღვანელი)

4) სიმრავლეებისა და ფუნქციების ზომადობის ცნების ზოგიერთი მოდიფიკაცია და მათი გამოყენებები, **(ხელშეკრულების ნომერი: 31/25, 2013-2016**), **მონაწილეები:** ა. კირთაძე, ა. ხარაზიშვილი

2. საერთაშორისო კონტაქტები:

ლ. ეფრემიძე იმყოფებოდა ხანგძლივი სამეცნიერო მივლინებით აბუ-დაბიში, ნიუ-ორკის უნივერსიტეტის კემპუსში, პროფესორ ილია სპიტკოვსკისთან თანამშრომლობის მიზნით.

ვ. კოკილაშვილი და ა. მესხი აგრძელებდნენ საერთაშორისო თანამშრომლობას მ. მასტილოსთან ა. მიცკევიჩის უნივერსიტეტის (პოზნანი, პოლონეთი) პროფესორ მ. მასტილოსთან, რაც გამოიხატა ხუთი ერთობლივი ნაშრომის გამოქვეყნებით. ისინი აგრძელებდნენ სამეცნიერო კონტაქტებს პროფესორ ა. ფიორენცასთან (ნეაპოლი, იტალია), ვ. გოლდშტეინთან (ისრაელი), ო. ბესოვთან (რუსეთი, ვ. სტეკლოვის სახ. მათემატიკის ინსტიტუტი), ს. სამკოსთან (ალმაგრეს უნივერსიტეტი, პორტუგალია), ვ. მაზიასთან (ლინჩოპინგის უნივერსიტეტი, შვედეთი).

იტალიელ მათემატიკოსებთან ერთად მომზადდა პროექტი "ოპერატორთა თვისებები ახალ ფუნქციურ სივრცეებში და გამოყენებები კერძოწარმოებულებიან დიფერენციალურ განტოლებებში",

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს 2015 წლის ერთობლივ სამეცნიერო გრანტზე.

3. სადოქტორო (PhD) და პოსტ-დოკის პროგრამის ხელმძღვანელობა:

- **ვ. კოკილაშვილი** ხელმძღვანელობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერების მიმართულებაზე დოქტორანტ ნ. დანელიას. დისერტაცია მომზადებულია და გადაცემულია დასაცავად.

- **ა. მესხი** ჩართული იყო პოსტდოქტორანტურის პროგრამაში "ზოგიერთი ოპერატორის შემოსაზღვრულობა განზოგადებულ მორის სივრცეებში" (კონტრაქტის ნომერი: DPE-040-15 and ID-PRJ: 6576), Pontificia Universidad Javeriana, მათემატიკის დეპარტამენტი, მეცნიერების ფაკულტეტი, ბოგოტა, კოლუმბია, რაც გამოიხატება პოსტდოქტორანტ მ. ა. ზაიგუმის თანახელმძღვანელობაში პროფესორ ჰ. რაფეიროსთან ერთად.

4. მონაწილეობა საერთაშორისო ჟურნალების სარედაქციო კოლეგიებში:

ვ. კოკილაშვილი არის შემდეგი ჟურნალების რედკოლეგიის წევრი:
- Georgian Mathematical Journal. Walter De Gruyter & Co, Germany (სარედაქციო კოლეგიის წევრი).
- Function Spaces and Applications. Scientific Horizont (შვედეთი-ინდოეთი, სარედაქციო კოლეგიის წევრი)
- International Journal of Mathematics, Game Theory and Algebra. Nova Science Publishers, Inc. New York (სარედაქციო კოლეგიის წევრი).
- Armenian Journal of Mathematics (სარედაქციო კოლეგიის წევრი).
- Georgian International J. Sci. and Tech. Nova Science, New York (სარედაქციო კოლეგიის წევრი).
- Proc. A. Razmadze Mathematical Inst. (მთავარი რედაქტორი).
- Euroasian Mathematical Journal. UK – Kazakhstan (სარედაქციო კოლეგიის წევრი)

ა. მესხი არის შემდეგი ჟურნალების სარედაქციო კოლეგიების წევრი:
- Transactions of A. Razmadze Mathematical Institute (Elsevier) (from 2016).
- Proceedings of A. Razmadze Mathematical Institute (Georgia);
- Universitas Scientiarum(Columbia);
- Journal of the Prime Research in Mathematics (Abdus Salam School of Mathematical Sciences, Lahore);
- Journal of Mathematical Inequalities (JMI) (Croatia).
- Journal of Inequalities and Applications (Springer).
- Tbilisi Mathematical Journal (Georgia).
- Commenatationes Mathematicae (Poland).

ა. ხარაზიშვილი არის შემდეგი ჟურნალების სარედაქციო კოლეგიების წევრი:
- Georgian Mathematical Journal
- Journal of Applied Analysis
- Applied Mathematics, Informatics and Mechanics

ლ. ეფრემიძემ, ვ. პაატაშვილმა და შ. ტეტუნაშვილმა შეასრულეს შესაბამისი სამუშაო, როგორც Procceedings of A. Razmadze Mathematical Institute (Transactions of A. Razmadze Mathematical Institute) სარედაქციო კოლეგიის წევრებმა.

ვ. კოკილაშვილმა გასწია მოცულობითი სამუშაო **Transactions of A. Razmadze Mathematical Institute (Proceedings of A. Razmadze Mathematical Institute) Elsevier**-ის ბაზაში განსათავსებლად.

5. რეცენზირება:

ვ. კოკილაშვილმა მოამზადა შემდეგი საერთაშორისო მათემატიკური ჟურნალებიდან მოწოდებული სტატიების რეცენზირება:
1. Mathematical Inequalities & Applications;
2. Mathematische Nachrichten;
3. Complex Analysis and Elliptic equations;
4. Turkisch Mathematical Journal

ა. მესხი:
1. Glasgow Mathematical Journal (Cambridge University Press)
2. Journal of Inequalities and Applications (Springer)
3. Georgian Mathematical Journal (De Gruyter)
4. Complex Variables and Elliptic equations (Taylor and Frances)
5. Journal of Mathematical Inequalities (Croatia);
6. Journal of Function Spaces and Applications (Hindawi)
7. Mathematische Nachrichten (WILEY-VCH Verlag GmbH & Co. KGaA, Weinheim)
8. Operator Theory: Advances and Applications (Birkhäuser)

ა. კირთაძე
1. Real Analysis Exchange
2. American Mathematical Monthly.

დიფერენციალური განტოლებების განყოფილება

განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი: **ივანე კიღურაძე**

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა: **სერგო ხარიბეგაშვილი** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი), **მალხაზ აშორდია** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი), **გივი ბერიკელაშვილი** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი), **ნინო ფარცვანია** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი), **ოთარ ჯოხაძე** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი), **მაია ჯაფოშვილი** (უფროსი ლაბორანტი)

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

#	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
	საწყის-სასაზღვრო და სასაზღვრო ამოცანები ევოლუციური დიფერენციალური განტოლებებისათვის	ი. კიღურაძე	მ. აშორდია, გ. ბერიკელაშვილი, ი. კიღურაძე, ნ. ფარცვანია, ს. ხარიბეგაშვილი,

			ო. ჯოხაძე

კვლევითი სამუშაოს დასრულებული ეტაპის შედეგები (ანოტაცია)

განზოგადოებული და იმპულსური არაწრფივი დიფერენციალური სისტემებისათვის დადგენილია ანტიპერიოდული ამოცანის ამონახსნის არსებობისა და ერთადერთობის საკმარისი პირობები.

დიფერენციალურ განტოლებათა სისტემებისათვის სინგულარობებით ფაზური ცვლადების მიმართ დადგენილია პერიოდულის ტიპის და კნეზერის ტიპის სასაზღვრო ამოცანების დადებითი ამონახსნების არსებობისა და ერთადერთობის ოპტიმალური საკმარისი პირობები.

მაღალი რიგის ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებებისათვის განხილულია არაწრფივი, არალოკალური ამოცანები (მათ შორის, ამოცანები ინტეგრალური პირობებით) და ნაპოვნია მათი ამოხსნადობისა და ცალსახად ამოხსნადობის საკმარისი პირობები.

მაღალი რიგის არაავტონომიური დიფერენციალური განტოლებებისათვის დადგენილია რხევად ამონახსნთა მრავალპარამეტრიანი ოჯახების არსებობის აუცილებელი და საკმარისი პირობები.

გამოკვლეულია დროით არალოკალური ამოცანა მრავალგანზომილებიანი არაწრფივ ჰიპერბოლურ განტოლებათა ერთი კლასისათვის, რომლის კერძო შემთხვევებს წარმოადგენენ პერიოდული და ანტიპერიოდული ამოცანები. დადგენილია პირობები ამოცანის მონაცემებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ამონახსნის არსებობას.

ტელეგრაფის არაწრფივი განტოლებისათვის გამოკვლეულია ისეთი დროითი ცვლადის მიმართ პერიოდული ამონახსნის არსებობის საკითხი, რომელიც დირიხლე-პუანკარეს სასაზღვრო პირობებს აკმაყოფილებს.

განზოგადებული ბენჟამინ-ბონა-მაჰონი-ბურგერსის არაწრფივი განტოლებისათვის დასმული საწყის-სასაზღვრო ამოცანის ამოსახსნელად შემოთავაზებულია სასრულ სხვაობიანი სქემა. დამტკიცებულია სქემის ცალსახად ამოხსნადობა და აბსოლუტური მდგრადობა, აგრეთვე $k-1$ რიგით კრებადობა, როცა დიფერენციალური ამოცანის ამონახსნი მიეკუთვნება $k \in (1, 3]$ მაჩვენებლიან სობოლევ-სლობოდეცკის სივრცეს.

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

#	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	არაწრფივი სასაზღვრო ამოცანები და მათი გამოყენებები დიფერენციალურ განტოლებათა თვისებრივ თეორიაში	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი # FR/317/5-101/12 (# 31/07 საგრანტო ხელშეკრულება)	ი. კიღურაძე	ი. კიღურაძე, ზ. სოხაძე, ნ. ფარცვანია

პროექტის დასრულებული ეტაპის შედეგები (ანოტაცია)

ფაზური ცვლადების მიმართ სინგულარული მაღალი რიგის დიფერენციალური განტოლებებისათვის განხილულია არაწრფივი სასაზღვრო ამოცანები არალოკალური პირობებით და დადგენილია მათი ამოხსნადობის ოპტიმალური საკმარისი პირობები.

ორგანზომილებიანი არაწრფივი სინგულარული დიფერენციალური სისტემებისათვის დადგენილია კნეზერის ტიპის არაწრფივი სასაზღვრო ამოცანების ამოხსნადობის საკმარისი პირობები.

პირველი და მეორე რიგის არაწრფივი ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებებისათვის დადგენილია წესიერი რხევადი და მონოტონური ამონახსნების არსებობის აუცილებელი და საკმარი-

სი პირობები.

არსებითად არაწრფივ დიფერენციალური სისტემებისათვის სინგულარობებით დროითი ან ფაზური ცვლადების მიმართ გამოკვლეულია არაწრფივი სასაზღვრო ამოცანები როგორც სასრულ, ისე უსასრულო შუალედებში და დადგენილია მათი ამოხსნადობისა და ცალსახად ამოხსნადობის ოპტიმალური საკმარისი პირობები.

ფუნქციონალურ-დიფერენციალურ განტოლებათა სისტემებისათვის გამოკვლეულია არაწრფივი სასაზღვრო ამოცანები როგორც სასრულ, ისე უსასრულო შუალედებში და დადგენილია მათი ამოხსნადობის საკმარისი პირობები.

მაღალი რიგის ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებებისათვის როგორც სასრულ, ისე უსასრულო შუალედებში გამოკვლეულია არაწრფივი სასაზღვრო ამოცანები და დადგენილია მათი ამოხსნადობისა და ცალსახად ამოხსნადობის საკმარისი პირობები.

#	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2	კრებადობის შეთანხმებული შეფასებები მაღალი რიგის სხვაობებით დაზუსტების მეთოდში	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი # FR/406/5-106/12 (# 31/18 საგრანტო ხელშეკრულება)	გ. ბერიკელაშვილი	გ. ბერიკელაშვილი, ბ. მიდოდაშვილი

პროექტის დასრულებული ეტაპის შედეგები (ანოტაცია)

გამოკვლეულია სტატიკური დრეკადობის თეორიის მესამე სასაზღვრო ამოცანისა და პუასონის განტოლებისათვის დასმული ბიწაძე-სამარსკის ტიპის არალოკალური ამოცანისთვის მაღალი რიგის სიზუსტის სხვაობიანი ამონახსნების მიღების მეთოდები. კრებადობის შეფასება შესწავლილია სობოლევ-სლობოდეცკის სივრცეებში.

#	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
3	ზოგიერთი არაწრფივი არასტაციონარული მოდელის გამოკვლევა და რიცხვითი ამოხსნა	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი # FR/30/5-101/12 (# 31/32 საგრანტო ხელშეკრულება)	ს. ხარიბეგაშვილი	ს. ხარიბეგაშვილი, ო. ჯოხაძე, თ. ჯანგველაძე, ზ. კიღურაძე

პროექტის დასრულებული ეტაპის შედეგები (ანოტაცია)

კუთხოვან არეებში ტალღის არაწრფივი განტოლებისათვის გამოკვლეულია სასაზღვრო ამოცანა, როცა კუთხის ერთ გვერდზე დასახელებულია ამონახსნი, ხოლო მეორე გვერდზე – დახრილი წარმოებული. ვექტორული ველის ყოფაქცევის მიხედვით, რომელიც განსაზღვრავს სასაზღვრო პირობაში შემავალი დახრილი წარმოებულის მიმართულებას, შესწავლილია გლობალური ამონახსნის არსებობის, ერთადერთობისა და არარსებობის საკითხები. შესწავლილია აგრეთვე ამოცანის ლოკალური ამოხსნადობა და ფეთქებადი ამონახსნის არსებობა. ტელეგრაფის არაწრფივი განტოლებისათვის გამოკვლეულია დროით პერიოდული ამოცანა დირიხლესა და პუანკარეს სასაზღვრო პირობებით. დადგენილია პირობები ამოცანის მონაცემებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ამონახსნის არსებობას.

მეორე რიგის არაწრფივი ჰიპერბოლური სისტემებისათვის შესწავლილია ერთი სასაზღვრო ამოცანა მომავლის კონუსში. განხილულია გლობალური ამონახსნის არსებობის, ერთადერთობისა და არარსებობის საკითხები. შესწავლილია აგრეთვე ამოცანის ლოკალური ამოხსნადობა და ფეთქებადი ამონახსნის არსებობა.

V. პუბლიკაციები

1) საქართველოში

სტატიები

#	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	M. Ashordia	Antiperiodic boundary value problem for systems of linear generalized differential equations. *Mem. Differential Equations Math. Phys.*	Volume 66	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი	141-152 (12)
2	M. Ashordia, G. Ekhvaia	On the solvability of multipoint boundary value problems for systems of nonlinear difference equations. *Mem. Differential Equations Math. Phys.*	Volume 65	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი	151-158 (8)
3	M. Ashordia, G. Ekhvaia	On the solvability of multipoint boundary value problems for systems of nonlinear differential equations with fixed points of impulses actions. *Mem. Differential Equations Math. Phys.*	Volume 64	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი	143-154 (12)
4	M. Ashordia, G. Ekhvaia, N. Topuridze	On the Conti-Opial type existence and uniqueness theorems for general nonlinear boundary value problems for systems of discrete equations. *Mem. Differential Equations Math. Phys.*	Volume 64	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი	155-162 (8)
5	G. Berikelashvili, B. Midodashvili	On the improvement of convergence rate of difference scheme for one mixed boundary-	Volume 65	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო	23-34 (12)

		value problem. *Mem. Differential Equations Math. Phys.*		უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი	
6	S. Kharibegashvili	The existence of solutions of one nonlocal in time problem for multidimensional wave equations with power nonlinearity. *Mem. Differential Equations Math. Phys.*	Volume 66	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი	83-101 (19)
7	S. Kharibegashvili, O. Jokhadze	On a Zaremba type problem for nonlinear wave equations in the angular domains. *Proc. A. Razmadze Math. Inst.*	Volume 167	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი	130-135 (6)
8	I. Kiguradze	Solvability conditions of nonlocal problems for singular in phase variables higher order differential equations. *Bull. Georgian National Acad. Sci.*	Volume 9, No. 2	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა, თბილისი	7-12 (6)
9	I. Kiguradze	Periodic type boundary value problems for singular in phase variables nonlinear nonautonomous differential systems. *Mem. Differential Equations Math. Phys.*	Volume 66	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი	153-159 (7)
10	N. Partsvania	Boundary value problems on an infinite interval for singular in phase variables two-dimensional differential systems. *Bull. Georg. Natl. Acad. Sci.*	Volume 9, No. 2	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა, თბილისი	13-18 (6)

ანოტაციები

1. განზოგადებულ ჩვეულებრივ წრფივ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემებისთვის განხილულია ანტიპერიოდული სასაზღვრო ამოცანა. მიღებულია ამ ამოცანის ცალსახად ამოხსნადობის აუცილებელი და საკმარისი პირობები, მათ შორის, სპექტრალური ხასიათის ეფექტური საკმარისი პირობები. დადგენილია ამოცანის ამონახსნის წარმოდგენის გრინის ტიპის ფორმულა, რომელსაც აქვს აღნიშნული სასაზღვრო ამოცანის შესაბამისი სპეციფიკური სახე.

2. არაწრფივ სხვაობიან განტოლებათა სისტემებისთვის განხილულია მრავალწერტილოვანი სასაზღვრო ამოცანები, მათ შორის, კოში-ნიკოლეტის ტიპის სასაზღვრო ამოცანა. მიღებულია ამ ამოცანის ამოხსნადობის აუცილებელი და საკმარისი პირობები.

3. არაწრფივ იმპულსურ განტოლებათა სისტემებისთვის განხილულია მრავალწერტილოვანი სასაზღვრო ამოცანები, მათ შორის, კოში-ნიკოლეტის ტიპის სასაზღვრო ამოცანა. დადგენილია ამოხსნადობის აუცილებელი და საკმარისი პირობები.

4. არაწრფივ დისკრეტულ განტოლებათა სისტემებისთვის განხილულია ზოგადი სახის არაწრფივი სასაზღვრო ამოცანები. დადგენილია ამ ამოცანების ამოხსნადობისა და ცალსახად ამოხსნადობის კონტი-ოპიალის ტიპის თეორემები.

5. ერთეულოვან კვადრატში განხილულია პუასონის განტოლებისათვის დასმული შერეული სასაზღვრო ამოცანა, რომელიც აპროქსიმებულია სასრულ-სხვაობიანი ორსაფეხურიანი კორექციის მეთოდით. დამტკიცებულია კორექტირებული ამონახსნის კრებადობა m რიგით, როცა დიფერენციალური ამოცანის ამონახსნი მიეკუთვნება $m \in (2,4]$ მაჩვენებლიან სობოლევ-სლობოდეცკის სივრცეს. მიღებული თეორიული დასკვნების საილუსტრაციოდ ჩატარებულია რიცხვითი ექსპერიმენტები.

6. გამოკვლეულია დროით არალოკალური ამოცანა მრავალგანზომილებიანი არაწრფივ ჰიპერბოლურ განტოლებათა ერთი კლასისათვის, რომლის კერძო შემთხვევებს წარმოადგენენ პერიოდული და ანტიპერიოდული ამოცანები. დადგენილია პირობები ამოცანის მონაცემებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ამონახსნის არსებობას.

7. კუთხოვან არეში ტალღის არაწრფივი განტოლებისათვის გამოკვლეულია ზარემბას ტიპის სასაზღვრო ამოცანა არამახასიათებელ მზიდებზე. შესწავლილია გლობალური ამონახსნის არსებობის, ერთადერთობისა და არარსებობის საკითხები. განხილულია აგრეთვე ამოცანის ამონახსნის ერთადერთობის დარღვევის საკითხი, ლოკალური ამოხსნადობა და ფეთქებადი ამონახსნის არსებობა.

8. დადგენილია გარკვეული აზრით არაგაუმჯობესებადი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ფაზური ცვლადების მიმართ სინგულარული მაღალი რიგის დიფერენციალური განტოლებებისათვის არალოკალურ ამოცანათა ამოხსნადობას.

9. ფაზური ცვლადების მიმართ სინგულარული არაწრფივი არაავტონომიური დიფერენციალური სისტემებისათვის დადგენილია პერიოდულის ტიპის სასაზღვრო ამოცანების დადებითი ამონახსნების არსებობისა და ერთადერთობის არაგაუმჯობესებადი საკმარისი პირობები.

10. ფაზური ცვლადების მიმართ სინგულარული ორგანზომილებიანი დიფერენციალური სისტემებისათვის ნაპოვნია გარკვეული აზრით ოპტიმალური პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ უსასრულო შუალედში სასაზღვრო ამოცანების დადებითი ამონახსნების არსებობას.

2) უცხოეთში

სტატიები (*-ით აღნიშნულია იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები)

#	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1*	G. Berikelashvili, B. Midodashvili	Compatible convergence estimates in the method of refinement by higher-order differences. (Russian) *Differ.*	Volume 51, No. 1	Nauka/Interperiodika, Moscow; Springer US, New York, NY	107-115 (9)

		Uravn.; translation in *Differ. Equ.*			
2*	G. Berikelashvili, B. Midodashvili	On increasing the convergence rate of difference solution to the third boundary value problem of elasticity theory. *Bound. Value Probl.*	2015: 226 doi:10.1186/s13661-015-0492-4	Springer, International Publishing, Germany	1-11 (11)
3	G. Berikelashvili, M. M. Gupta, B. Midodashvili	On the improvement of convergence rate of difference schemes with high order differences for a convection-diffusion equation. *AIP Conference Proceedings*	Vol. 1648, p.470002 doi:10.1063/1.4912679	AIP Publishing, *New York*	470002-1 –– 470002-4 (4)
4*	O. Jokhadze, S. Kharibegashvili	On the Cauchy and Cauchy-Darboux problems for semilinear wave equations. *Georgian Math. J.*	Volume 22, No. 1	Walter De Gruyter & Co, Germany	81-104 (24)
5*	S. S. Kharibegashvili, O. M. Jokhadze	The time-periodic problem for weekly nonlinear telegraph equation with oblique derivative in the boundary condition. (Russian) *Differentsial'nye Uravneniya*; translation in *Differential Equations*	Volume 51, No. 10	Nauka/Interperiodika, Moscow; Springer US, New York, NY	1376-1392 (17)
6*	S. Kharibegashvili, B. Midodashvili	On the solvability of a problem nonlocal in time for a semilinear multidimensional wave equations. *Ukrainian Math. J.*	Volume 67, No. 1	Institute of Mathematics NAS of Ukraine, Ukraine	98-119 (22)

ანოტაციები

1. მუდმივ კოეფიციენტებიანი ელიფსური განტოლებისათვის დასმული დირიხლეს ამოცანის ამოსახსნელად გამოყენებულია მეორე რიგის სიზუსტის სასრულ-სხვაობიანი სქემა. მიღებული მიახლოებითი ამონახსნით ვახდენთ სქემის მარჯვენა მხარის კორექციას. დამტკიცებულია, რომ თუ დიფერენციალური ამოცანის ამონახსნი მიეკუთვნება $m \in (2, 4]$ მაჩვენებლიან სობოლევ-სლობოდეცკის სივრცეს, მაშინ კორექტირებული სქემის ამონახსნის კრებადობის რიგია m.

2. სტატიკური დრეკადობის თეორიის მესამე (ხისტი კონტაქტის) ამოცანისათვის შესწავლილია მაღალი რიგის სიზუსტის ამონახსნების მიღების მეთოდი. საბაზისოდ მეორე რიგის სიზუსტის სხვაობიანი სქემა გამოიყენება, რომლის ამონახსნით ვახდენთ სქემის მარჯვენა მხარის კორექციას. დამტკიცე-

ბულია კორექტირებული ამონახსნის კრებადობა m-ური რიგით, თუ დიფერენციალური ამოცანის ამონახსნი მიეკუთვნება $m \in (2, 4]$ მაჩვენებლიან სობოლევ-სლობოდეცკის სივრცეს. ჩატარებული რიცხვითი ექსპერიმენტები ადასტურებენ ალგორითმის საიმედობას.
3. განხილულია კონვექცია-დიფუზიის სამგანზომილებიანი ამოცანა ცვლადი კოეფიციენტებით კონვექციურ წევრებთან. მიახლოებითი ამონახსნის მისაღებად გამოყენებულია ორსაფეხურიანი სხვაობიანი მეთოდი, რომელიც იყენებს 7-წერტილიან შაბლონს. დამტკიცებულია მიახლოებითი ამონახსნის m $(2< m \le 4)$ რიგით კრებადობა, თუ ზუსტი ამონახსნი მიეკუთვნება m-მაჩვენებლიან სობოლევ- სლობოდეცკის სივრცეს.
4. გამოკვლეულია კოშის საწყისი და კოში-დარბუს სასაზღვრო ამოცანა ტალღის არაწრფივი განტოლებისათვის. შესწავლილია ამონახსნის არსებობისა და ერთადერთობის საკითხები. განხილულია აგრეთვე ფეთქებადი ამონახსნის არსებობის შემთხვევები.
5. ტელეგრაფის განტოლებისათვის ხარისხოვანი არაწრფივობით გამოკვლეულია დროით პერიოდული ამოცანა დირიხლესა და პუანკარეს სასაზღვრო პირობებით. შესწავლილია ამონახსნის არსებობის, არარსებობისა და ერთადერთობის საკითხები.
6. შესწავლილია ერთი დროით არალოკალური ამოცანა მრავალგანზომილებიანი ტალღის განტოლებისათვის ხარისხოვანი არაწრფივობით. განხილულია ამონახსნის არსებობისა და ერთადერთობისა საკითხები.

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მ. აშორდია	On the well-posed of general boundary value problem for nonlinear impulsive systems with fixed impulses points	Swedish-Georgian Conference in Analysis and Dynamical Systems (Tbilisi, Georgia, July 15-22, 2015)
2	მ. აშორდია	On the well-possedness of the Cauchy problem and the Lyapunov stability for the systems of ordinary differential equations	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია (თბილისი, 14-18 დეკემბერი, 2015 წ.)
3	მ. აშორდია	On the well-posed of the Cauchy problem for linear generalized differential systems	საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის VI საერთაშორისო კონფერენცია (ქ. ბათუმი, 12-16 ივლისი, 2015 წ.)
4	მ. აშორდია	On the well-possedness of the Cauchy problem and the Lyapunov stability for the systems of generalized ordinary differential equations	International Workshop on the Qualitative Theory of Differential Equations – QUALITDE-2015 (Tbilisi, Georgia, December 27-29, 2015)
5	გ. ბერიკელაშვილი, ბ. მიდოდაშვილი	დრეკადობის თეორიის მესამე სასაზღვრო ამოცანის სხვაობიანი ამოხსნის კრებადობის სიჩქარის	საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის VI საერთაშორისო კონფერენცია

		გაზრდის შესახებ	(ქ. ბათუმი, 12-16 ივლისი, 2015 წ.)
6	გ. ბერიკელაშვილი	Convergence analysis of difference schemes for generalized Benjamin-Bona-Mahony-Burgers equation	International Workshop on the Qualitative Theory of Differential Equations – QUALITDE-2015 (Tbilisi, Georgia, December 27-29, 2015)
7	ი. კიღურაძე	მაღალი რიგის არაავტონომიური დიფერენციალური განტოლებების ამონახსნების ასიმპტოტური ყოფაქცევის შესახებ	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია (თბილისი, 14-18 დეკემბერი)
8	ი. კიღურაძე	On boundary value problems with the condition at infinity for systems of higher order nonlinear differential equations	International Workshop on the Qualitative Theory of Differential Equations – QUALITDE-2015 (Tbilisi, Georgia, December 27-29, 2015)
9	ი. კიღურაძე, ზ. სოხაძე	On one boundary value problem with the condition at infinity, arising in the oscillation theory	International Workshop on the Qualitative Theory of Differential Equations – QUALITDE-2015 (Tbilisi, Georgia, December 27-29, 2015)
10	ნ. ფარცვანია	The nonlinear Kneser problem for singular in phase variables two-dimensional differential systems	International Workshop on the Qualitative Theory of Differential Equations – QUALITDE-2015 (Tbilisi, Georgia, December 27-29, 2015)
11	ს. ხარიბეგაშვილი	The local and global solvability of a multidimensional boundary value problem for some second order semi-linear hyperbolic systems	Swedish-Georgian Conference in Analysis and Dynamical Systems (Tbilisi, Georgia, July 15-22, 2015)
12	ს. ხარიბეგაშვილი	On one boundary value problem for semilinear equation with the iterated multidimensional wave operator in the principal part	International Workshop on the Qualitative Theory of Differential Equations – QUALITDE-2015 (Tbilisi, Georgia, December 27-29, 2015)
13	ო. ჯოხაძე	The Riemann and Green-Hadamard functions of linear hyperbolic equations and its applications	Swedish-Georgian Conference in Analysis and Dynamical Systems (Tbilisi, Georgia, July 15-22, 2015)
14	ო. ჯოხაძე	Periodic problem for the nonlinear telegraph equation	International Workshop on the Qualitative Theory of Differential Equations – QUALITDE-2015 (Tbilisi, Georgia, December 27-29, 2015)
15	ო. ჯოხაძე, ს. ხარიბეგაშვილი	შერეული ამოცანა ერთი კლასის არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებებისათვის	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერ-სიტეტის ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო

			კონფერენცია (თბილისი, 14-18 დეკემბერი, 2015 წ.)
16	ო. ჯოხაძე	რიმანის ფუნქცია მეორე რიგის ზოგადი სახის წრფივი ჰიპერბოლური განტოლებებისათვის	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (ქ. თბილისი, 29 იანვარი-3 თებერვალი, 2015 წ.)

მოხსენებათა ანოტაციები

1. მიმოხილულია განზოგადებულ ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებათა თეორიის საფუძვლები. მოყვანილია არგუმენტაცია, რის საფუძველზეც განპირობებულია ინტერესი ამ თეორიისადმი. განზოგადებულ არაწრფივ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემებისთვის ზოგადი სახის არაწრფივი სასაზღვრო ამოცანებისთვის მიღებული კორექტულობის საკმარისი პირობები რეალიზებულია არაწრფივი იმპულსური სისტემებისთვის.

2. წრფივ ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემებისთვის განხილულია კოშის ამოცანის კორექტულობის საკითხი. წარმოდგენილია კორექტულობის აუცილებელი და საკმარისი პირობები. გარდა ამისა, აღნიშნული სისტემებისთვის განხილულია ლიაპუნოვის აზრით მდგრადობის საკითხი. მოყვანილია საკმარისი პირობები, რომლის შესრულების შემთხვევაში მდგრადობიდან გამომდინარეობს კოშის ამოცანის კორექტულობა.

3. განზოგადებულ წრფივ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემებისთვის განხილულია კოშის ამოცანის კორექტულობის საკითხი. წარმოდგენილია კორექტულობის აუცილებელი და საკმარისი პირობები, აგრეთვე, ეფექტური საკმარისი პირობები.

4. განზოგადებულ წრფივ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემებისთვის განხილულია კოშის ამოცანის კორექტულობის საკითხი. წარმოდგენილია კორექტულობის აუცილებელი და საკმარისი პირობები. აღნიშნული სისტემებისთვის განხილულია აგრეთვე ლიაპუნოვის აზრით მდგრადობის საკითხი. მოყვანილია საკმარისი პირობები, რომლის შესრულების შემთხვევაში მდგრადობიდან გამომდინარეობს კოშის ამოცანის კორექტულობა.

5. სტატიკური დრეკადობის თეორიის მესამე სასაზღვრო ამოცანისათვის გამოკვლეულია მაღალი რიგის სიზუსტის სხვაობიანი მეთოდი.

6. განზოგადებული ბენჟამინ-ბონა-მაჰონი-ბურგერსის არაწრფივი განტოლებისათვის დასმული საწყის-სასაზღვრო ამოცანის ამოსახსნელად შემოთავაზებულია აბსოლუტურად მდგრადი სასრულ სხვაობიანი სქემა. კრებადობა გამოკვლეულია სობოლევ-სლობოდეცკის სივრცეში.

7. გამოკვლეულია ფაზური ცვლადების მიმართ ნელად ზრდადი მაღალი რიგის არაავტონომიური დიფერენციალური განტოლებების ამონახსნების ყოფაქცევა უსასრულოდ შორეული წერტილის მიდამოში.

8. მაღალი რიგის არაწრფივი არაავტონომიური დიფერენციალური სისტემებისათვის გამოკვლეულია არაწრფივი სასაზღვრო ამოცანები უსასრულო შუალედში და დადგენილია მათი ამოხსნადობისა და ცალსახად ამოხსნადობის საკმარისი პირობები.

9. მაღალი რიგის დაგვიანებულარგუმენტებიანი დიფერენციალური განტოლებებისათვის უსასრულო შუალედში გამოკვლეულია არაწრფივი სასაზღვრო ამოცანები, რომელბიც წარმოიშობიან ოსცილაციის თეორიაში.

10. ფაზური ცვლადების მიმართ სინგულარული ორგანზომილებიანი დიფერენციალური სისტემებისათვის დადგენილია კნეზერის არაწრფივი ამოცანის დადებითი ამონახსნის არსებობის არაგაუმჯობესებადი საკმარისი პირობები.

11. შესწავლილია მრავალგანზომილებიანი სასაზღვრო ამოცანა არაწრფივ ჰიპერბოლურ სისტემათა

ერთი კლასისათვის. განხილულია გლობალური ამონახსნის არსებობის, ერთადერთობისა და არარსებობის საკითხები.
12. გამოკვლეულია ერთი სასაზღვრო ამოცანა მრავალგანზომილებიან არაწრფივ ჰიპერბოლურ განტოლებათა ერთი კლასისათვის. ნაპოვნია პირობები ამოცანის მონაცემებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ამონახსნის არსებობასა და ერთადერთობას. განხილულია აგრეთვე შემთხვევები, როდესაც ამოცანას არ გააჩნია ამონახსნი.
13. ნაპოვნია ზოგადი სახის წრფივი ჰიპერბოლური განტოლებებისათვის რიმანისა და გრინ-ადამარის ფუნქციათა ახალი თვისებები. მოყვანილია მათი გამოყენებები არაწრფივ ჰიპერბოლურ განტოლებათა ზოგიერთი კლასისათვის სასაზღვრო ამოცანების შესწავლაში.
14. ტელეგრაფის არაწრფივი განტოლებისათვის გამოკვლეულია დროით პერიოდული ამოცანა დირიხლესა და პუანკარეს სასაზღვრო პირობებით. დადგენილია პირობები ამოცანის მონაცემებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ამონახსნის არსებობას.
15. ერთი კლასის არაწრფივი პარაბოლური ტიპის ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებებისათვის შესწავლილია საწყის–სასაზღვრო ამოცანების ამონახსნთა არსებობის, ერთადერთობის, არაერთადერთობისა და არარსებობის საკითხები.
16. შესწავლილია მეორე რიგის ზოგადი წრფივი ჰიპერბოლური განტოლებების რიმანისა და გრინი-ადამარის ფუნქციის ახალი თვისებები. მოყვანილია მათი გამოყენებები არაწრფივ სასაზღვრო ამოცანებში.

2) უცხოეთში

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	I. Kiguradze	Positive solutions of periodic type boundary value problems for singular in phase variables differential systems	Czech-Georgian Workshop on Boundary Value Problems – WBVP-2015 (Brno, Czech Republic, January 26-27, 2015)
2	I. Kiguradze	Criteria for the existence of oscillatory solutions of higher order nonlinear differential equations	Всероссийская научная конференция “Творческое наследие профессоров кафедры дифференциальных уравнений О. А. Олейник и В. А. Кондратьева” (Москва, Россия, 2-3 декабря, 2015 г.)
3	I. Kiguradze	On positive solutions of boundary value problems for singular in phase variables differential systems	Международная математическая конференция “Шестые Богдановские чтения по обыкновенным дифференциальным уравнениям” (Минск, Беларусь, 7-10 декабря, 2015 г.)
4	N. Partsvania, B. Půža	Positive solutions of nonlocal boundary value problems for singular in phase variables two-dimensional differential systems	Czech-Georgian Workshop on Boundary Value Problems – WBVP-2015 (Brno, Czech Republic, January 26-27, 2015)

მოხსენებათა ანოტაციები

1. ფაზური ცვლადების მიმართ სინგულარული არაავტომიური დიფერენციალური სისტემებისათვის

დადგენილია პერიოდულის ტიპის სასაზღვრო ამოცანების დადებითი ამონახსნების არსებობისა და ერთადერთობის ოპტიმალური საკმარისი პირობები.
2. მაღალი რიგის არაავტონომიური დიფერენციალური განტოლებებისათვის დადგენილია რხევად ამონახსნთა მრავალპარამეტრიანი ოჯახების არსებობის აუცილებელი და საკმარისი პირობები.
3. ფაზური ცვლადების მიმართ სინგულარული არაავტონომიური დიფერენციალური სისტემებისათვის დადგენილია არაწრფივ სასაზღვრო ამოცანათა დადებითი ამონახსნების არსებობისა და ერთადერთობის ოპტიმალური საკმარისი პირობები.
4. ფაზური ცვლადების მიმართ სინგულარული მეორე რიგის დიფერენციალური სისტემებისათვის დადგენილია არაწრფივ არალოკალურ ამოცანათა დადებითი ამონახსნების არსებობის არაგაუმჯობესებადი საკმარისი პირობები.

სხვა ინფორმაცია:

- ჩატარებული სამეცნიერო ფორუმები

განყოფილების მიერ ორგანიზებული იყო საერთაშორისო ვორკშოპი დიფერენციალურ განტოლებათა თვისებრივ თეორიაში – QUALITDE-2015, რომელიც ჩატარდა თბილისში 2015 წლის 27-29 დეკემბერს.

განყოფილება ჩეხეთის მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტის ბრნოს ფილიალთან ერთად მონაწილეობას ღებულობდა სასაზღვრო ამოცანებში ჩეხეთ-საქართველოს ვორკშოპის (WBVP-2015) ორგანიზებაში. WBVP-2015-ის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ივანე კიღურაძემ და ნინო ფარცვანიამ, როგორც მოწვეულმა მომხსენებლებმა.

- საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობა

ივანე კიღურაძე:

როგორც სარედაქციო კოლეგიის წევრი, თანამშრომლობდა უცხოურ სამეცნიერო ჟურნალებთან: *"Boundary Value Problems"; "Electronic Journal of Qualitative Theory of Differential Equations"; "Nonlinear Oscillations"; "Fasciculi Mathematici"; "Functional Differential Equations";* ხოლო როგორც რეცენზენტი – ჟურნალებთან: *"Дифференциальные уравнения", "Nonlinear Analysis"*.

იყო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის "Шестые Богдановские чтения по обыкновенным дифференциальным уравнениям" (ქ. მინსკი, ბელორუსია) საპროგრამო კომიტეტის წევრი.

იყო საერთაშორისო ვორკშოპის QUALITDE-2015 საპროგრამო კომიტეტის თავმჯდომარე.

მალხაზ აშორდია:

იყო საერთაშორისო ვორკშოპის QUALITDE-2015 საორგანიზაციო კომიტეტის წევრი.

გივი ბერიკელაშვილი:

როგორც რეფერენტი, თანამშრომლობდა რეფერატულ ჟურნალ *"Mathematical Reviews"*-თან.

იყო საერთაშორისო ვორკშოპის QUALITDE-2015 საორგანიზაციო კომიტეტის წევრი.

ნინო ფარცვანია:

2015 წლის 25 იანვრიდან 31 იანვრამდე მივლინებით იმყოფებოდა ჩეხეთის მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტის ბრნოს ფილიალში (ქ. ბრნო, ჩეხეთის რესპუბლიკა), სადაც მონაწილეო-

ბა მიიღო სასაზღვრო ამოცანებში ჩეხეთ-საქართველოს ვორკშოპის მუშაობაში, როგორც მოწვეულმა მომხსენებელმა. გარდა ამისა, ჩეხეთში ყოფნისას გააგრძელა ერთობლივი კვლევები სინგულარულ სა-საზღვრო ამოცანებში ჩეხ კოლეგასთან ბ. პუჟასთან ერთად.

როგორც რეცენზენტი, თანამშრომლობდა საერთაშორისო ჟურნალთან "*Miskolc Mathematical Notes*".

არის რეფერატული ჟურნალის "*Mathematical Reviews*" რეფერენტი.

არის საერთაშორისო ჟურნალის "*Memoirs on Differential Equations and Mathematical Physics*" ასოცირებული რედაქტორი.

არის საერთაშორისო ჟურნალის "*Miskolc Mathematical Notes*" სარედაქციო კოლეგიის წევრი.

იყო საერთაშორისო ვორკშოპის QUALITDE-2015 საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე.

სერგო ხარიბეგაშვილი:

როგორც სარედაქციო კოლეგიის წევრი, თანამშრომლობდა საერთაშორისო ჟურნალებთან: *"Georgian Mathematical Journal"* და *"Memoirs on Differential Equations and Mathematical Physics"*.

იყო საერთაშორისო ვორკშოპის QUALITDE-2015 საპროგრამო კომიტეტის წევრი.

მათემატიკური ფიზიკის განყოფილება

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი პროფესორი **როლანდ დუდუჩავა**
სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა: როლანდ დუდუჩავა, თენგიზ ბუჩუკური, ავთანდილ გაჩეჩილაძე, როლანდ გაჩეჩილაძე, დავით კაპანაძე, ოთარ ჭკადუა.
თანამშრომლები საზოგადოებრივ საწყისებზე: ეკატერინა პესეცკაია, მედეა ცაავა, თამთა წუწუნავა.

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

#	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	მაქსველის სისტემა ანიზოტროპულ გარემოში	რ.დუდუჩავა, დ.კაპანაძე	რ.დუდუჩავა, დ.კაპანაძე, ო. ჭკადუა, თ. ბუჩუკური, მ.ცაავა
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
1. შესწავლილია ეკრანისა ტიპისა და კუთხოვანი განსაკუთრებულობის მქონე არეებში ზოგიერთი სასაზღვრო ამოცანა როგორც მაქსველის, ასევე ჰელმჰოლცის განტოლებებისათვის. ამოცანები დაყვანილია საზღვარზე ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებებზე და მათი შესწავლა მოხდა ფსევდოდიფერენციალური ოპერატორების თვისებების გამოყენებით, ზოგიერთ შემთხვევაში მიღებულია არსებობისა და რეგულარობის შედეგები.		

2. ნაპოვნია მელინის კონვოლუციის განტოლების ფრედჰოლმურობის კრიტერიუმი სობოლევისა და ბესელის პოტენციალთა სივრცეებში. მიღებული შედეგები გამოყენებულია შერეული სასაზღვრო ამოცანის შესასწავლად ჰელმჰოლცის განტოლებისათვის მოდელურ არეში-α გაშლის უსასრულო კუთხეში.

	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
2	ლოკალიზებული ინტეგრალურ განტოლებათა მეთოდი ელექტრო-მაგნეტო-დრეკადობის არაერთგვაროვანი ანიზოტროპული თეორიის რობენის ტიპის ამოცანისათვის.	დ. ნატროშვილი	ო. ჭკადუა, თ. ბუჩუკური, დ. ნატროშვილი

დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

შესწავლილია 3-განზომილებიანი განზოგადებული თერმო-ელექტრო-მაგნეტო-დრეკადობის ერთგვაროვანი, ანიზოტროპული თეორიის ფსევდო-რხევის შერეული სასაზღვრო ამოცანა ბზარის მქონე სხეულებისათვის. პოტენციალთა და ფსევდოდიფერენციალურ განტოლებათა მეთოდის გამოყენებით დამტკიცებულია ამონახსნის არსებობისა და ერთადერთობის თეორემები. გამოკვლეულია ამონახსნის სინგულარობა ბზარის კიდესა და იმ წირის მახლობლობაში სადაც იცვლებიან სასაზღვრო პირობები. ნაჩვენებია, რომ ამონახსნის სინგულარობა საზოგადოდ დამოკიდებულია როგორც დრეკად ასევე ელექტრულ და მაგნიტურ მუდმივებზე და იმ წირის გეომეტრიაზე სადაც იცვლებიან სასაზღვრო პირობები.
ამ საკითხებთან დაკავშირებით მომზადებულია ერთი სტატია გამოსაქვეყნებლად

	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
3	დრეკადობის თეორიის სტატიკის და დინამიკის სასაზღვრო სა-კონტაქტო ამოცანა ერთგვაროვანი ჰემიტროპული სხეულისათვის ხახუნის გათვალისწინებით	რ. გაჩეჩილაძე	ა. გაჩეჩილაძე, რ. გაჩეჩილაძე

დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

გამოკვლეულია სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანა მიკროპოლარული ერთგვაროვანი დრეკადი ჰემიტროპული სხეულისათვის ხახუნის გათვალისწინებით. ამ ამოცანაში ხახუნის ძალა წარმოიქმნება დრეკადი სხეულის არა მხები მიმართულებით გადაადგილებისას, არამედ ნორმალის მიმართულებით გადაადგილებისას. განიხილება ორი შემთხვევა: კოერციტიული (როდესაც დრეკადი სხეული თავისი საზღვრის რომელიღაც დადებითი ზომის ნაწილით ჩამაგრებული) და არაკოერციტიული (როდესაც ასეთი ჩამაგრებები არ გვაქვს). სტეკლოვ-პუანკარეს ოპერატორის გამოყენებით ეს ამოცანა ეკვივალენტურად დაიყვანება სასაზღვრო ვარიაციულ უტოლობაზე. ვარიაციულ უტოლობათა ზოგად თეორიაზე დაყრდნობით შეისწავლება სუსტი ამონახსნების არსებობისა და ერთადერთობის საკითხი. კოერციტიულ შემთხვევაში ამოცანა ამოხსნადია ცალსახად და უპირობოდ და ამონახსნი უწყვეტად არის დამოკიდებული ამოცანის მონაცემებზე, ხოლო არაკოერციტიულ შემთხვევაში ცხადი სახით იწერება ამონახსნის არსებობის აუცილებელი პირობა. ეს პირობა გარკვეულ დამატებით შეზღუდვებში წარმოადგენს არსებობის საკმარის პირობასაც.
ამ საკითხებთან დაკავშირებით გამოქვეყებულია ერთი სტატია.

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

#	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი	პროექტის	პროექტის

		ორგანიზაცია	ხელმძღვანელი	შემსრულებლები
1	ეკრანის ტიპის ამოცანები ანიზოტროპული მაქსველის განტოლებებისათვის: ასიმპტოტური ანალიზი და რიცხვითი მიახლოებები	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	დ. კაპანაძე	დ. კაპანაძე, რ. დუდუჩავა, ე. პესეცკაია
პროექტის დასრულებული ეტაპის შედეგები (ანოტაცია)				
შესწავლილია ზოგიერთი ეკრანის ტიპის სასაზღვრო ამოცანა მაქსველის განტოლებებისათვის. არსებობის, ერთადერთობისა და რეგულარობის შედეგები მიღებულია დირიხლეს, ნეიმანისა და შერეული ტიპის სასაზღვრო ამოცანებისთვის.				
#	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2	თხელი გარსის ასიმპტოტური მოდელი	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, გრანტი DI/10/5 - 101/12, ხელშეკრულება 13/14	ე. შარგოროდსკი (კინგს კოლეჯი, ლონდონი, დიდი ბრიტანეთი) რ. დუდუჩავა	ე. შარგოროდსკი, რ.დუდუჩავა, თ. ბუჩუკური, მ. ცაავა გ. ტეფნაძე
პროექტის დასრულებული ეტაპის შედეგები (ანოტაცია)				

თემა I. გიუნტერის წარმოებულების აღრიცხვა და მათი გამოყენება.
გიუნტერის წარმოებულების აღრიცხვისათვის ჰიპერზედაპირებზე დადგენილია ახალი ფაქტები. მგალითად, დამტკიცდა რომ ერთეულოვან ნორმალთა ვექტორულ ველს გააჩნია ერთადერთი „მართებული“ (proper) გაგრძელება ზედაპირს გარეთ. ეს აღრიცხვა გამოიყენება კოიტერ-სანჩეს - პალენსია-სიარლეს გარსის წრფივი ასიმპტოტური მოდელის ალტერნატიული მოდელის მისაღებად Γ - კრებადობის გამოყენებით. პირველ რიგში ეს გაკეთდა სასაზღვრო ამოცანისათვის რომელიც დასმულია ლაპლასის განტოლებისათვის თხელ ფენაში როდესაც ფენის სისქე მიისწრაფის ნულისაკენ. მოძებნილია ზღვრული სასაზღვრო ამოცანა, რომელიც ჩაიწერება შუა ზედაპირზე.

იგივე ამოცანა დაისვა და გადაწყდა სასაზღვრო ამოცანისათვის რომელიც დაისვა ლამეს განტოლებისათვის თხელ შრეში. აქაც დადგენილია ზღვრული განტოლება, რომელიც ჩაწერილია შუა ზედაპირზე გიუნტერის წარმოებულების საშუალებით და წარმოადგენს გარსის განტოლების ახალ ვარიანტს, რომელიც უფრო მარტივია ვიდრე კარგად ცნობილი კოიტერის გარსის განტოლება.

თემა II. დრეკადი გარსის მოდელის მიღება Γ-კრებადობის დახმარებით
კვლევის მეორე ეტაპზე განხილულია გარსის იერარქიული მოდელის რამდენიმე შემთხვევა, რომლებიც განსხვავდებიან h სისქის შრის კუთრი დრეკადი ენერგიის სხვადასხვა სკალირებით. მიღებული განტოლება ჩაწერილია გიუნტერის წარმოებულების მეშვეობით და წარმოადგენს ლამეს განტოლების ანალოგს (განსხვავებაა დაბალი რიგის წევრი, რომელიც შეიცავს ზედაპირის სიმრუდეს და ვეინგარტენის მატრიცას. მიღებული განტოლება მარტივია შესასწავლად და ადვილად ექვემდებარება ამონახსნის არსებობის და ერთადერთობის გამოკვლევებს, ასევე მიახლოებითი ამოხსნის მიდგომებს, რადგან არის დადებითად განსაზღვრული (იხ მე-3 თემა ქვემოთ).

Γ-კრებადობის დასადგენად სასაზღვრო ამოცანა გადაწერილია ვარიაციული ფორმულირებით და დაყვანილია ფუნქციონალის მინიმიზაციის პრობლემაზე. Γ-ზღვარზე გადასვლით მიღებული ფუნქციონალის საშუალებით დაწერილია შესაბამისი სასაზღვრო ამოცანა.

დამტკიცებულია მიღებული გარსის განტოლებისათვის სასაზღვრო ამოცანის ამოხსნადობა და ერთადერთობა გლუვი საზღვრის შემთხვევაში, ხოლო არაგლუვი (ლიფშიცის) საზღვრის შემთხვევაში დამუშავებულია მეთოდი მელინის კონვოკლუციის ოპერატორების გამოყენებით, რომელიც იძლევა საშუალებას ჩავატაროთ ამოხსნადობის გამოკვლევა გარსის განტოლებისათვის ლიფშიცის საზღვრიანი ზედაპირის შემთხვევაში.

თემა III. მიახლოებითი ამოხსნის მეთოდების დამუშავება

ორგანზომილებიანი გარსისთვის მიღებული ლაპლას-ბელტრამისა და ლამეს განტოლებებისათვის, რომლებიც გიუნტერის წარმოებულების საშუალებით არის ჩაწერილი, განხილულია დირიხლეს ტიპის სასაზღვრო ამოცანები. ამ ამოცანებისთვის დასაბუთებულია გალიორკინის ტიპის მეთოდით მიღებული მიახლოებითი ამონახსნების არსებობა, ერთადერთობა და შესაბამისი ზუსტი ამონახსნისკენ კრებადობა. Г -კრებადობის გამოყენებით ორგანზომილებიანი სასაზღვრო ამოცანების ამ მიახლოებითი ამონახსნებიდან აიგება შესაბამისი სამგანზომილებიანი ამოცანების მიახლოებითი ამონახსნები.

შესრულებული ნაშრომები:

გამოქვეყნებულია ნაშრომები: **3 სტატია**
მიღებულია გა,ოსაქვეყნებლად ნაშრომები: **4 სტატია**
მომზადებულის გამოსაქვეყნებლად ნაშრომები: **4 სტატია**
მოხსენებულია კონფერენციებზე: **21 კონფერენცია**
გამოქვეყნებულია საკონფერენციო თეზისები: **27 საკონფერენციო თეზისი**

#	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
3	მრავალკომპონენტიანი ერთ-გვაროვანი და არაერთგვაროვანი დრეკადი სტრუქტურების დინამიკის მათემატიკური მოდელების გამოკვლევა	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, გრანტი FR/286/5-101/13	დ. ნატროშვილი	დ. ნატროშვილი, თ. ბუჩუკური, ო. ჭკადუა

პროექტის დასრულებული ეტაპის შედეგები (ანოტაცია)

თემა 1 (TEME თეორია):

ა) გამოკვლეულია TEME(თერმო-ელექტრო-მაგნეტო-დრეკადობის) თეორიის შერეული ტრანსმისიის ტიპის ამოცანების ამონახსნების ასიმპტოტური თვისებები ისეთი წირების მიდამოში, რომლებიც ერთმანეთისგან გამოყოფენ ზედაპირის ნაწილებს განსხვავებული ტიპის სასაზღვრო პირობებით, ან რომლებზეც საკონტაქტო ზედაპირი გადაკვეთს კომპოზიტური სხეულის გარე საზღვარს. გამოთვლილია ძაბვების სინგულარობების მაჩვენებლები და შესწავლილია მათი გარემოს მახასიათებლებზე და განსაკუთრებული წირის გეომეტრიაზე დამოკიდებულება; ჩატარებულია ოსცილირებადი ძაბვების სინგულარობების ანალიზი. რიცხვითი მაგალითები, რომლებიც ძაბვების სინგულარობების მაჩვენებლების მატერიალურ პარამეტრებზე და განსაკუთრებული წირების გეომეტრიაზე დამოკიდებულების ილუსტრირებას ახდენენ.

თემა 2 (GTEME თეორია):

ბ) შესწავლილია GTEME (განზოგადებული თერმო-ელექტრო-მაგნეტო-დრეკადობის) თეორიის ძირითადი, შერეული და შიდა ბზარის ამოცანები. გამოკვლეულია ამონახსნთა ასიმპტოტური თვისებები. გამოთვლილია ძაბვების სინგულარობის მაჩვენებლები და შესწავლილია მათი დამოკიდებულება გარემოს მახასიათებლებზე. შესწავლილია სითბოს გავრცელების სიჩქარის სასრულობის გავლენა

თერმო-მექანიკურ და ელექტრო-მაგნიტურ ველების განაწილებაზე. მოყვანილია რიცხვითი მაგალითები, რომლებიც ძაბვების სინგულარობების მაჩვენებლების მატერიალურ პარამეტრებზე და განსაკუთრებული წირების გეომეტრიაზე დამოკიდებულების ილუსტრირებას ახდენენ.

თემა 3 (GTPE თეორია):
გ) განხილილულია განზოგადებული თერმოპიეზოელექტრობის მოდელი ენერგიის დისიპაციის გარეშე (**GTPE** თეორია). ამ მოდელისთვის გამოყვანილია გრინის ტოლობები, ჩამოყალიბებულია სასაზღვრო ამოცანების ვარიაციული ფორმულირება, იზოტროპული შემთხვევისათვის აგებულია ფსევდორხევის ფუნდამენტური ამონახსნი ელემენტარულ ფუნქციებში, დამტკიცებულია ფსევდორხევის ამოცანების ამონახსნთა ერთადეთობის თეორემები.

ამ საკითხებთან დაკავშირებით მომზადებულია ორი პრეპრინტი და მომზადებულია ორი სტატია გამოსაქვეყნებლად

IV. პუბლიკაციები

1) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	O. Chkadua, R. Duduchava, D. Kapanadze	The Screen Type Dirichlet Boundary Value Problems for Anisotropic Pseudo-Maxwell's Equations	Mem. Differential Equations Math. Phys., 66 (2015), pp. 33-43.	თბილისი, ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი	11
2	O. Chkadua, D. Natroshvili	Localized Boundary-Domain Integral Equations Approach for Robin Type Problem of the Theory of Piezo-Elasticity For Inhomogeneous Solids	Mem. Differential Equations Math. Phys., 65 (2015), pp. 57-91.	თბილისი, ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი	34
3	R. Duduchava, T. Tsutsunava	ntegro-Differential Equations of Prandtl type in the Bessel potential spaces.	Mem. Differential Equations Math. Phys., 65 (2015), pp. 45-64.	თბილისი, ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი	20
4	D. Kapanadze	On electromagnetic scattering problems for screens	Proc. A. Razmadze Math. Inst., 167 (2015), 119-122	თბილისი, ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი	4

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. გამოკვლეულია ეკრანის ტიპის დირიხლეს სასაზღვრო ამოცანები ანიზოტროპული ფსევდო-მაქსველის განტოლებებისათვის. ნაჩვენებია, რომ ეს ამოცანები მხები დირიხლეს პირობით კორექტულები არიან მხებ სობოლევის სივრცეებში და ისინი შესაძლოა ექვივალენტურად დავიყვანოთ დირიხლეს სასაზღვრო ამოცანამდე ჩვეულებრივ სობოლევის სივრცეებში. პოტენციალთა მეთოდისა და ფსევდო-დიფერენციალური განტოლებათა მეთოდის გამოყენებით

მიღებულია ამონახსნის არსებობის, ერთადერთობისა და რეგულარობის შედეგები. ეკრანის საზღვართან აღწერილია ამონახსნის ასიმპტოტიკური ყოფაქცევა, რომლის გამოყენებით დადგენილია ამონახსნის ჰელდერული უწყვეტობის საუკეთესო მაჩვენებელი

2. განვითარებულია ლოკალიზებული პარამეტრიქსის მეთოდი პიეზო-დრეკადობის თეორიის რობენის ტიპის 3-განზომილებიანი ამოცანისათვის არაერთგვაროვანი ანიზოტრო-პული სხეულების შემთხვევაში. გრინის ინტეგრალური წარმოდგენის ფორმულისა და ლოკალიზებული პოტენციალების თვისებების გამოყენებით რობენის ტიპის ამოცანა დაიყვანება ლოკალიზებულ სასაზღვრო-სივრცულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემაზე, რომლის შესაბამისი ოპერატორი ეკუთვნის ბუტე დე მონველის ალგებრას. შესწავლილია რობენის ტიპის სასაზღვრო ამოცანისა და მიღებულ ლოკალიზებულ სასაზღვრო- სივრცულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემის ეკვივალენტობა. ვიშიკ-ესკინის თეო-რიის გამოყენებით, რომელიც ეფუძნება ვინერ-ჰოფის ფაქტორიზაციის მეთოდს, დადგენილია პირობები, რომლის დროსაც ლოკალიზებულ სასაზღვრო-სივრცულ ინტეგრალურ განტოლებათა ოპერატორი არის ფრედჰოლმური და ნაჩვენებია მისი შებრუნებადობა შესაბამის სობოლევ-სლობოდეცკისა და ბესელის პოტენციალთა სივრცეებში.

3. სტატიის მიზანია გამოიკვლიოს ფრედჰოლმურობის კრიტერიუმი პრანდტლის ტიპის ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებისათვის უბან-უბან უწყვეტი კოეფიციენტებით ბესელის პოტენციალთა სივრცეში $\mathbb{H}^s_p(\mathbb{R})$. გამოსაკვლევი ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებების სისტემა დაიყვანება ექვივალენტურ მელინის კონვოლუციის ტიპის სისტემაზე, რომლისთვისაც გამოყენება ვ. დიდენკოს, რ. დუდუჩავას [3] და რ. დუდუჩავას [9] მიერ ბოლო დროს მიღებული შედეგები მელინის კონვოლუციის ტიპის განტოლებებისათვის მერომორფული ბირთვებით ბესელის პოტენციათა სივრცეებში, სადაც დადგენილია ფრედჰოლმურობის (და, რიგ შემთხვევებში, ერთადერთი ამოხსნადობის) კრიტერიუმები ზემოთ ხსენებული ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებებისათვის

4. შესწავლილია ეკრანის ტიპის დირიხლეს სასაზღვრო ამოცანები იზოტროპული მაქსველის განტოლებებისათვის. პოტენციალთა მეთოდით მიღებულია ამონახსნის არსებობისა და ერთადერთობის შედეგები H(curl;D) სობოლევის სივრცეებში.

2) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	R. Duduchava, E. Shargorodsky, G. Tephnadze	Extension of the unit normal vector field to a hypersurface	Georgian Mathematical Journal. 22, 5, 355-359, 2015	Germany De Grueter	5
2	D. Kapanadze, G. Mishuris, E. Pesetskaya	Exact solution of a nonlinear heat conduction problem in a doubly periodic 2D composite material	Archives of Mechanics, 67(2), 157–178, 2015	Warszawa, IPPT PAN	22
3	D. Kapanadze, W. Miszuris, E.Pesetskaya	Relationship between the effective thermal properties of linear and nonlinear	ZAMM - Journal of Applied Mathematics and Mechanics, 2015	WILEY-VCH Verlag GmbH & Co.	11
4	D. Kapanadze, G. Mishuris, E. Pesetskaya	doubly periodic composites	Complex Variables and Elliptic Equations, 60, 1–23, 2015	Taylor & Francis	24
5	L.P. Castro, D. Kapanadze,	Improved algorithm for analytical solution of the heat conduction	Math. Meth. Appl. Sci. 2015	John Wiley & Sons	12

	E. Pesetskaya	problem in doubly periodic 2D composite materials			
6	A. Гачечиладзе, Р. Гачечиладзе,	Effective conductivity of a composite material with stiff imperfect contact conditions Односторонние контактные задачи с трением, возникающим вдоль нормали.	Дифференциальные Уравнения, 2015. DOI: 10.1134/ SO 3740641150	Москва, 2015.	19

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. დამტკიცდა რომ ერთეულოვან ნორმალთა ვექტორულ ველს გააჩნია ერთადერთი „მართებული“გაგრძელება (proper extension) ზედაპირს გარეთ და ეს გაგრძელება წარმოადგენს არაწრფივი ეიკონალური განტოლების ამონახსნს. ცხადადაა ამოწერილი გაგრძელებული ვექტორული ველი.
2. ნაშრომში შესწავლილია ორგანზომილებიან უსასრულო პერიოდული ტემპერატურაზე დამოკიდებული თბოგამტარობის მქონე მასალებით შედგენილი კომპოზიტური სხეულისთვის სითბოს გავრცელების ამოცანა. გარკვეულ პირობებში მიღებულია ამოცანის ამონახსნის ზუსტი მნიშვნელობების საპოვნელად შესაბამისი ალგორითმი.
3. შესწავლილია ორგანზომილებიან უსასრულო პერიოდული კომპოზიტური სხეულისთვის სითბოს გავრცელების ამოცანა. რიცხვითი მიახლოებების მაღალის სიზუსტით ჩატარების მიზნით შემუშავებულია ახალი ალგორითმი და ჩატარებულია შესაბამისი გამოთვლები.
4. ნაშრომში მიღებულია ორგანზომილებიან უსასრულო პერიოდული კომპოზიტური სხეულისთვის სითბოს გავრცელების ამოცანის ანალიზური ამონახსნის რიცხვითი მიახლოებების ჩასატარებელი ალგორითმი. რომლის ეფექტურობა ნაჩვენებია რამდენიმე პრაქტიკული ნიშვნელობის მაგალითზე.
5. ნაშრომში ანალიზური და რიცხვითი მეთოდების საშუალებით შესწავლილია ორგანზომილებიან უსასრულო პერიოდული კომპოზიტური სხეულისთვის სითბოს გავრცელების ამოცანა ხისტი საკონტაქტო პირობებით.
6. გამოკვლეულია სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანა მიკროპოლარული ერთგვაროვანი დრეკადი ჰემიტროპული სხეულისათვის ხახუნის გათვალისწინებით. ამ ამოცანაში ხახუნის ძალა წარმოიქმნება დრეკადი სხეულის არა მხები მიმართულებით გადაადგილებისას, არამედ ნორმალის მიმართულებით გადაადგილებისას. განიხილება ორი შემთხვევა: კოერციტიული (როდესაც დრეკადი სხეული თავისი საზღვრის რომელიღაც დადებითი ზომის ნაწილით ჩამაგრებული) და არაკოერციტიული (როდესაც ასეთი ჩამაგრებები არ გვაქვს). სტეკლოვ-პუანკარეს ოპერატორის გამოყენებით ეს ამოცანა ეკვივალენტურად დაიყვანება სასაზღვრო ვარიაციულ უტოლობაზე. ვარიაციულ უტოლობათა ზოგად თეორიაზე დაყრდნობით შეისწავლება სუსტი ამონახსნების არსებობისა და ერთადერთობის საკითხი. კოერციტიულ შემთხვევაში ამოცანა ამოხსნადია ცალსახად და უპირობოდ და ამონახსნი უწყვეტად არის დამოკიდებული ამოცანის მონაცემებზე, ხოლო არაკოერციტიულ შემთხვევაში ცხადი სახით იწერება ამონახსნის არსებობის აუცილებელი პირობა. ეს პირობა გარკვეულ დამატებით შეზღუდვებში წარმოადგენს არსებობის საკმარის პირობასაც.

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	თ. ბუჩუკური, რ. დუდუჩავა, გ. ტეფნაძე	Approximation of a solution to Dirichlet problem for Laplace - Beltrami equation on hypersurfaces using Günter's differential operators	ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის ყოველწლიური კონფერენცია, 14-18 დეკემბერი. თბილისი
2	თ. ბუჩუკური, რ. დუდუჩავა,	Laplace–Beltrami Equation on Hypersurfaces and Γ-Convergence	International Workshop on Operator Theory and Applications (IWOTA

	გ. ტეფნაძე		2015), Tbilisi, Georgia, July 6-10, 2015
3	რ. დუდუჩავა	Boundary value problems for the Helmholtz equation in angular domains	ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის ყოველწლიური კონფერენცია, 14-18 დეკემბერი. თბილისი
4	რ. დუდუჩავა, მ. ცაავა	Mixed Boundary Value Problems for the Laplace–Beltrami Equation	International Workshop on Operator Theory and Applications (IWOTA 2015), Tbilisi, Georgia, July 6-10, 2015
5	რ. დუდუჩავა, თ. წუწუნავა	ntegro-Differential Equations of Prandtl type in the Bessel potential spaces.	საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის 6-ე საერთაშორისო კონფერენცია, ბათუმი 12-16, ივლისი 2015
6	დ. კაპანაძე	მოწვეული მოხსენება Wave diffraction by wedges having arbitrary aperture angle	International Workshop on Operator Theory and Applications (IWOTA 2015), Tbilisi, Georgia, July 6-10, 2015
7	დ. კაპანაძე	The effective conductivity properties of temperature dependent 2D composite materials: numerical approximation	ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის ყოველწლიური კონფერენცია, 14-18 დეკემბერი. თბილისი
8	ო. ჭკადუა, დ. ნატროშვილი	სექციური მოხსენება: Localized Boundary-Domain Integral Equations Approach for Problems of the Theory of Electro-Magneto-Elasticity for Inhomogeneous Solids	თბილისი 2015 International Workshop on Operator Theory and Appications, IWOTA 2015 Tbilisi, July 6-10, 2015
9	ო. ჭკადუა,	ნახევრად პლენარული მოხსენება: Dynamical Interface crack Problems for Metallic and Electro-Magneto-Elastic Composite Structures	საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის 6-ე საერთაშორისო კონფერენცია, ბათუმი 12-16, ივლისი 2015
10	ო. ჭკადუა,	Asymptotic Analysis of Dynamical Mixed Problems of Electro-Magneto Elasticity in Domains with Cracks	Swedish-Georgian Conference In Analysis and Dynamical Systems. 15-22, Tbilisi, Georgia
11	ო. ჭკადუა, თ. ბუჩუკური, დ. ნატროშვილი	Asymptotic Analysis of Dynamical Mixed Problems of Electro-Magneto Elasticity in Domains with Cracks	ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის ყოველწლიური კონფერენცია, 14-18 დეკემბერი. თბილისი

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1. განხილულია დირიხლეს სასაზღვრო ამოცანა ლაპლას-ბელტრამის განტოლებისთვის ჰიპერზედაპირზე, როდესაც ლაპლას-ბელტრამის ოპერატორი ზედაპირზე ცხადად აღიწერება გიუნტერის დიფერენციალური ოპერატორების საშუალებით. ჰიპერზედაპირზე გიუნტერის მხები დიფერენციალური ოპერატორების აღრიცხვის გამოყენებით დასაბუთებულია სასრულ ელემენტთა მეთოდი განხილული სასაზღვრო ამოცანისთვის და მიღებულია მიახლოებითი ამონახსნი ცხადი სახით.
2. განხილულია შერეული ტიპის სასაზღვრო ამოცანა ლაპლასის განტოლება თხელ შრეში.გიუნტერის წარმოებულების და ვარიაციული ფორმულირების გამოყენებით დადგენილია ასეთი ამოცანის Γ - კრებადობა შუა ზედაპირზე დირიხლეს სასაზღვრო ამოცანისაკენ ლაპლას-

ბელტრამის განტოლებისათვის.

3. შესწავლილია შერეული სასაზღვრო ამოცანა ჰელმჰოლცის განტოლებისათვის α გაშლის უსასრულო კუთხეში. მელინის კონვოლუციის ოპერატორებისათვის ბოლო დროს მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით (რ. დუდუჩავა, ვ. დიდენკო) მიღებულია ასეთი ამოცანის ამოხსნადობის კრიტერიუმი როგორც კლასიკური დასმით სობოლევის W^1 სივრცეში, ასევე არაკლასიკური დასმით ბესელის პოტენციალთა H_p^s სივრცეში.
4. განხილულია შერეული სასაზღვრო ამოცანა ლაპლას-ბელტრამის განტოლებისათვის ჰიპერზედაპირზე გლუვი საზღვრით. მელინის კონვოლუციის ოპერატორებისათვის ბოლო დროს მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით (რ. დუდუჩავა, ვ. დიდენკო) მიღებულია ასეთი ამოცანის ამოხსნადობის კრიტერიუმი როგორც კლასიკური დასმით სობოლევის W^1 სივრცეში, ასევე არაკლასიკური დასმით ბესელის პოტენციალთა H_p^s სივრცეში,
5. მიღებულია ფრედჰოლმურობის კრიტერიუმი პრანდტლის ტიპის ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებისათვის უბან-უბან უწყვეტი კოეფიციენტებით ბესელის პოტენციალთა სივრცეში $\mathbb{H}^s_p(\mathbb{R})$. გამოსაკვლევი ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებების სისტემა დაიყვანება ექვივალენტურ მელინის კონვოლუციის ტიპის სისტემაზე, რომლისთვისაც გამოყენება ვ. დიდენკოს, რ. დუდუჩავას [3] და რ. დუდუჩავას [9] მიერ ბოლო დროს მიღებული შედეგები მელინის კონვოლუციის ტიპის განტოლებებისათვის მერომორფული ბირთვებით ბესელის პოტენციათა სივრცეებში, სადაც დადგენილია ფრედჰოლმურობის (და, რიგ შემთხვევებში, ერთადერთი ამოხსნადობის) კრიტერიუმები ზემოთ ხსენებული ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებებისათვის
6. მოხსნებაში განხილული იყო ტალღის დიფრაქციის სასაზღვრო ამოცანები კუთხოვან არეებში. პოტენციალთა მეთოდის გამოყენებით ნახევარღერძე მიღებული ფურიეს + მელინის კონვოლუციების თვისებები შესწავლილი იყო ბესელის პოტენციალთა სივრცეებში. მიღებულია ამონახსნის არსებობის, ერთდათერთობისა და რეგულარობის შედეგები.
7. მოხსენებაში განხილული იყო ტემპერატურაზე დამოკიდებული თბოგამტარობის მქონე მასალებით შედგენილი კომპოზიტური სხეული. მისი ეფექტური თბოგამტარობის შესასწავლად შემოთავაზებულია ახალი იდეა, ის დავახასიათოთ საშუალო ტემპერატურით. კვლევისას გამოყენებულია კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორია. რიცხვითი გამოთვლების ჩასატარებლად შემუშავებულია შესაბამისი ალგორითმი
8. განვითარებულია ლოკალიზებული პარამეტრიქსის მეთოდი ელეცტრო-მაგნეტო-დრეკადობის თეორიის დირიხლესა და რობენის ტიპის 3-განზომილებიანი ამოცანებისათვის არაერთგვაროვანი ანიზოტროპული სხეულების შემთხვევაში. გრინის ინტეგრალური წარმოდგენის ფორმულისა და ლოკალიზებული პოტენციალების თვისებების გამოყენებით დირიხლესა და რობენის ტიპის ამოცანები დაიყვანება ლოკალიზებულ სასაზღვრო-სივრცულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემებზე, რომლთა შესაბამისი ოპერატორები ეკუთვნიან ბუტე დე მონველის ალგებრას. შესწავლილია სასაზღვრო ამოცანების და მიღებულ შესაბამისი ლოკალიზებულ სასაზღვრო- სივრცულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემის ეკვივალენტობა. ვიშიკ-ესკინის თეორიის გამოყენებით, რომელიც ეფუძნება ვინერ-ჰოფის ფაქტორიზაციის მეთოდს, დადგენილია პირობები, რომლის დროსაც ლოკალიზებულ სასაზღვრო-სივრცულ ინტეგრალურ განტოლებათა ოპერატორები არიან ფრედჰოლმური და ნაჩვენებია მათი შებრუნებადობა შესაბამის სობოლევ-სლობოდეცკისა და ბესელის პოტენციალთა სივრცეებში.
9. გამოკვლეულია 3-განზომილებიანი დრეკადი სხეულისა და ელექტრო-მაგნეტო-დრეკადი სხეულის ურთიერთქმედების დინამიკის სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანა ბზარით საკონტაქტო ზედაპირზე. ლაპლასის გარდაქმნის, პოტენციალთა და ფსევდოდიფერენციალურ განტოლებათა მეთოდის გამოყენებით დამტკიცებულია ამონახსნის არსებობისა და ერთადერთობის თეორემები. გამოკვლეულია ამონახსნის სინგულარობა ბზარის საზღვარის მახლობლობაში. ნაჩვენებია, რომ ამონახსნის სინგულარობა საზოგადოდ დამოკიდებულია როგორც დრეკად ასევე ელექტრულ და მაგნიტურ მუდმივებზე და ბზარის კიდის გეომეტრიაზე.
10. შესწავლილია 3-განზომილებიანი დინამიკის შერეული სასაზღვრო ამოცანა ელექტრო-მაგნეტო-

დრეკადობის ერთგვაროვანი, ანიზოტროპული ბზარის მქონე სხეულებისათვის. ლაპლასის გარდაქმნის, პოტენციალთა და ფსევდოდიფერენციალურ განტოლებათა მეთოდის გამოყენებით დამტკიცებულია ამონახსნის არსებობისა და ერთადერთობის თეორემები. გამოკვლეულია ამონახსნის სინგულარობა ბზარის კიდესა და იმ წირის მახლობლობაში სადაც იცვლებიან სასაზღვრო პირობები. ნაჩვენებია, რომ ამონახსნის სინგულარობა საზოგადოდ დამოკიდებულია როგორც დრეკად ასევე ელექტრულ და მაგნიტურ მუდმივებზე და იმ წირის გეომეტრიაზე სადაც იცვლებიან სასაზღვრო პირობები.

11. შესწავლილია 3-განზომილებიანი დინამიკის შერეული სასაზღვრო ამოცანა ელექტრო-მაგნეტო-დრეკადობის ერთგვაროვანი, ანიზოტროპული ბზარის მქონე სხეულებისათვის. ლაპლასის გარდაქმნის, პოტენციალთა და ფსევდოდიფერენციალურ განტოლებათა მეთოდის გამოყენებით დამტკიცებულია ამონახსნის არსებობისა და ერთადერთობის თეორემები. გამოკვლეულია ამონახსნის სინგულარობა ბზარის კიდესა და იმ წირის მახლობლობაში სადაც იცვლებიან სასაზღვრო პირობები. ნაჩვენებია, რომ ამონახსნის სინგულარობა საზოგადოდ დამოკიდებულია როგორც დრეკად ასევე ელექტრულ და მაგნიტურ მუდმივებზე და იმ წირის გეომეტრიაზე სადაც იცვლებიან სასაზღვრო პირობები.

2) უცხოეთში

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1-2	რ. დუდუჩავა	1. Mixed boundary value problems for the Laplace-Beltrami equation 2. Mellin convolution equations in Bessel potential spaces	ამერიკის, ევროპის და პორ-ტუგალიის მათემატიკური საზოგადოებების ერთობლივი კონფერენცია, 2015 წლის 9-14 ივნისს პორტოს უნივერსიტეტი, პორტუგალია
3	რ. დუდუჩავა	Mellin convolution equations in Bessel potential spaces	VII საერთაშორისო კონფერენცია კომპლექსურ ანალიზსა და დი-ნამიკურ სისტემებში

მოხსენებათა ანოტაციები

1. განხილულია შერეული სასაზღვრო ამოცანა ლაპლას-ბელტრამის განტოლებისათვის ჰიპერზედაპირზე გლუვი საზღვრით. მელინის კონვოლუციის ოპერატორებისათვის ბოლო დროს მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით (რ. დუდუჩავა, ვ. დიდენკო) მიღებულია ასეთი ამოცანის ამოხსნადობის კრიტერიუმი როგორც კლასიკური დასმით სობოლევის W^1 სივრცეში, ასევე არაკლასიკური დასმით ბესელის პოტენციალთა H_p^s სივრცეში.

2-3. მელინის ტიპის კონვოლუციის განტოლებები კარგად არის შესწავლილი ლებეგის L_p სივრცეში, მაგრამ სასაზღვრო ამოცანების შესწავლისას არეებში არაგლუვი საზღვრით მივდივართ აუცილებლობამდე შევისწავლოთ ასეთი განტოლებები ბესელის პოტენციალთა სივრცეებში H_p^s ნებისმიერი $1<p<\infty$, $-\infty<s<\infty$.

მიღებულია ფრედჰომმურობის კრიტერიუმი და ინდექსის ფორმულა ზემოთ ნახსენები განტოლებებისათვის. გამოკვლევა ეყრდნობა რ. დუდუჩავას მიერ ადრე მიღებულ შედეგებს ბანახის ალგებრებზე, რომლებიც წარმოიქმნება მელინის და ფურიეს კონვოლუციების ოპერატორების მიერ.

V. 3. კონფერენციების ორგანიზაცია

1. საერთაშორისო კონფერენცია **Humboldt Kolleg** (ჰუმბოლდტის ფონდის დაფინანსებით, გერმანია). თბილისი, 4-6 ივლისი, 2015.

ორგანიზატორები:
საქართველოს მათემატიკოსთა კავშირი
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
ი. ჯავახიშვილის სახ. სახელმჭიფო უნივერსიტეტი
93 მონაწილე, 60 უცხოელი
რ. დუდუჩავა - საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე
თ. ბუჩუკური - საორგანიზაციო კომიტეტის წევრი
მ. ცაავა - საორგანიზაციო კომიტეტის წევრი

2. საერთაშორისო კონფერენცია **International Workshop on Operator Theory and Applications (IWOTA 2015),** თბილისი, 6-10 ივლისი, 2015.
ორგანიზატორები:
საქართველოს მათემატიკოსთა კავშირი
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
ი. ჯავახიშვილის სახ. სახელმჭიფო უნივერსიტეტი
171 მონაწილე, 140 უცხოელი
რ. დუდუჩავა - საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე
თ. ბუჩუკური - საორგანიზაციო კომიტეტის წევრი
დ. კაპანაძე - საორგანიზაციო კომიტეტის წევრი
მ. ცაავა - საორგანიზაციო კომიტეტის წევრი

3. **საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის VI საერთაშორისო კონფერენცია**
ბათუმი, საქართველო, 12-17 ივლისი, 2015.
ორგანიზატორები:
საქართველოს მათემატიკოსთა კავშირი
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
შ. რუსთაველის სახ. ბათუმის სახელმჭიფო უნივერსიტეტი
150 მონაწილე, 70 უცხოელი
რ. დუდუჩავა - საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე
თ. ბუჩუკური - საორგანიზაციო კომიტეტის წევრი
მ. ცაავა - საორგანიზაციო კომიტეტის წევრი

VI. მიწვევები სამეცნიერო ცენტრებში საზღვარგარეთ და მოხსენებები სემინარებზე

VI.1. მიწვევები საერთაშორისო ფორუმებზე
როლანდ დუდუჩავა:

1. ევროპის მათემატიკოსთა კავშირების პრეზიდენტთა შეხვედრა, 28-29 მარტი, 2015, ინსბრუკი, ავსტრია
2. ევროპის მათემატიკოსთა კავშირის დაარსების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი ფორუმი, 22 ოქტომბერი, 2015, ანრი პუანკარეს ინსტიტუტე, პარიზი, საფრანგეთი.

VI.2. მიწვევები სამეცნიერო ცენტრებში საზღვარგარეთ
როლანდ დუდუჩავა:

1. ბრუნეის უნივერსიტეტი, ბრუნეი, 5 სექტემბერი - 5 ოქტომბერი, 2015
ერთობლივი სამეცნიერო მუშაობისათვის
2. ბარ ილანის უნივერსიტეტი, ისრაელი. 7-18 მაისი, 2015
ერთობლივი სამეცნიერო მუშაობისათვის
3. ბოგაზიჩის უნივერსიტეტი, სტამბოლი, თურქეთი, 1-5 დეკემბერი, 2015
კონტაქტების დასამყარებლად

4. საარლანდის უნივერსიტეტი, საარბრიუკენი, გერმანია 6-12 დეკემბერი, 2015
ერთობლივი სამეცნიერო მუშაობისათვის

VI.3. მოხსენებები სემინარებზე საზღვარგარეთ

1. ბრუნეის უნივერსიტეტი, ბრუნეი, 29 სექტემბერი, 2015
მოხსენება სემინარზე: "Shell theory with calculus of Gunter's tangential differential operators"
2. ბარ ილანის უნივერსიტეტი, ისრაელი. 8 მაისს, 2015
მოხსენება სემინარზე: "Mixed boundary value problems for the Laplace-Beltrami equation"
3. ბოგაზიჩის უნივერსიტეტი, სტამბოლი, თურქეთი, 3 დეკემბერი, 2015
მოხსენება სემინარზე: "Calculus of tangential differential operators on hypersurfaces and shell theory"
4. საარლანდის უნივერსიტეტი, საარბრიუკენი, გერმანია 10 დეკემბერი, 2015
მოხსენება სემინარზე: "Boundary value problems for the Laplace-Beltrami equation on a hypersurface with the Lipschitz boundary"

VII. სამეცნიერო გამოცემების რედკოლეგიების წევრები

როლანდ დუდუჩავა:

1. Integral Equations and Operator Theory, Birkhauser
2. Georgian Mathematical Journal, De Gruyter
3. Journal of Applied Mathematics & Bioinformatics, International Scientific Press
4. Memoirs on partial Di_erential Equations and Mathematical Physics, A. Razmadze Mathematical Institute, Tbilisi.
5. Georgian International Journal of Science and Technology, Nova Science Publishers
6. Tbilisi Mathematical Journal, Tbilisi.

თენგიზ ბუჩუკური,
Georgian Mathematical Journal

ოთარ ჭკადუა.
Proceedings of A. Razmadze Mathematical Institute, Tbilisi

VIII. საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემების რეცენზენტები

როლანდ დუდუჩავა:

1. Integral Equations and Operator Theory, Birkhauser
2. Georgian Mathematical Journal, De Gruyter
3. Mathematische Nachrichten, Germany
4. Arab Journal of Mathematics, King Saud University, Er Riadh, Saudi Arabia
5. International Journal of Functional Analysis, Ispahan, Iran
6. Mathematical Review, American mathematical Society, Rhode Iceland, USA
7. Complex Variables and Elliptic Equations, Taylor & Francis
8. Engineering Structures, Springer
9. Communications in Mathematical Analysis, ISPACS. USA

თენგიზ ბუჩუკური
Georgian Mathematical Journal

ოთარ ჭკადუა,

1. Georgian Mathematical Journal
2. Memoirs on partial Differential Equations and Mathematical Physics, A. Razmadze Mathematical Institute, Tbilisi.

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: **ნუგზარ შავლაყაძე**
სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა: ნუგზარ შავლაყაძე, სერგო კუკუჯანოვი, გიორგი კაპანაძე, ლუიზა შაფაქიძე, ლიდა გოგოლაური

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

#	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
	უწყვეტ გარემოთა მექანიკის სასაზღვრო-საკონტაქტო და შერეული სასაზღვრო ამოცანები. მათემატიკა. დრეკადობის მათემატიკური თეორია	ნუგზარ შავლაყაძე	ნუგზარ შავლაყაძე, სერგო კუკუჯანოვი, გიორგი კაპანაძე, ლუიზა შაფაქიძე, ლიდა გოგოლაური

დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

განიხილება დრეკადობის ბრტყელი თეორიის საკონტაქტო ამოცანები სხვადასხვა მასალისაგან შედგენილი დრეკადი ფირფიტისა და თხელკედლიანი არაერთგვაროვანი დრეკადი ელემენტის(ჩართვის, სტრინგერის) ურთიერთქმედების შესახებ, როდესაც საკონტაქტო პირობა ითვალისწინებს მათ შორის წებოს თხელი ფენის არსებობას.

მიღებულია სპეციალური ტიპის ექვივალენტური სინგულარული ინტეგრო-დიფერენციალური განტოლება, გამოკვლეულია ამ განტოლებისათვის როგორც ზუსტი, ასევე მიახლოებითი ამოხსნების მიღების მეთოდები, კერძოდ, ფურიეს ინტეგრალური გარდაქმნების და ანალიზურ ფუნქციათა თეორიის მეთოდები, შესაბამისი ფაქტორიზაციის მეთოდი, კარლემანის ტიპის (გადაადგილებიანი) სასაზღვრო ამოცანისა და რიმანის ამოცანის ამოხსნის მეთოდები, ორთოგონალურ პოლინომთა მეთოდი და უსასრულო წრფივი ალგებრულ განტოლებთა სისტემის რეგულარიზაციის მეთოდები.

განიხილება ეფექტური ამოხსნები ორგანზომილებიანი ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებისა, რომლებიც დაკავშირებულია დრეკადი თხელი არაერთგვაროვანი სასრული ჩართვისა და დრეკადი ფირფიტის ურთიერთქმედებასთან, როდესაც ჩართვისა და ფირფიტის მასალები ექვემდებარებიან ბლანტიდრეკადობის (ცოცვადობის) თვისებას. დრეკადი ჩართვის გეომეტრიული და ფიზიკური პარამეტრების პარაბოლური და წრფივი კანონით ცვლილების პირობებში, ინტეგრალური გარდაქმნების მეთოდითა და ანალიზურ ფუნქციათა თეორიის სასაზღვრო ამოცანების გამოკვლევის გზით მიღებულია ზუსტი ამოხსნები ცხადი სახით და დადგენილია უცნობი საკონტაქტო ძაბვების ასიმპტოტური ყოფაქცევა დრეკადი ჩართვის ბოლოების მიდამოებში.

განხილულია მექანიკური და ელექტრული ველების მოძებნის ამოცანა დრეკადი ჩართვის მქონე პიეზო-ელექტრულ ნახევარსივრცეში. ჩართვაზე მოქმედებს მუდმივი ინტენსივობის დატვირთვა. ანალიზურ ფუნქციათა თეორიის მეთოდების გამოყენებით ამოცანა დაიყვანება სინგულარულ ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებაზე უძრავი სინგულარობით სასრული ინტერვალის გასწვრივ. ინტეგრალური გარდაქმნის გამოყენებით მიიღება რიმანის ამოცანა, აგებულია კანონიკური ამონახსნი და რიმანის ამოცანა ამოხსნილია ცხადი სახით. განსაზღვრულია ტანგენციალური საკონტაქტო ძაბვა საკონტაქტო წირის გასწვრივ და დადგენილია საკონტაქტო ძაბვის ყოფაქცევა სინგულარული წერტილების მიდამოში.

განხილულია საკუთარი რხევები და მდგრადობა დრეკადშემავსებლიანი ცილინდრულ ფორმასთან მიახლოებული ბრუნვითი გარსებისა, რომლებზეც მოქმედებს მერიდიანული ძალები, ნორმალური წნევა და ტემპერატურა. განხილულია თხელი და დრეკადი გარსები.

ტემპერატურა თანაბრად განაწილებულია გარსის სხეულში. იგულისხმება სრიალა ტიპის მსუბუქი შემავსებელი. შემავსებლის მოდელირება ხდება ვინკლერის ფუძით. განხილულია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გაუსის სიმრუდის მქონე გარსები. გამოკვლეულია როგორც უმცირესი, აგრეთვე უმაღლესი სიხშირეები. განხილულია აგრეთვე მდგრადობის საკითხი და მიღებულია ფორმულები კრიტიკული ძალებისთვის.

განხილულია დრეკადობის ბრტყელი თეორიის ამოცანა მართკუთხოვანი ხვრელის მქონე წრიული არისათვის. ამოცანის ამოსახსნელად გამოყენებულია კონფორმულ ასახვათა და ანალიზურ ფუნქციათა თეორიის მეთოდები. კერძოდ, კოლოსოვ-მუსხელიშვილის ცნობილ ფორმულებზე დაყრდნობით, განხილული ამოცანა საძიებელი კომპლექსური პოტენციალების მიმართ მიყვანილია რიმან-ჰილბერტის ორ ამოცანაზე წრიული რგოლისათვის და ამ უკანასკნელთა ამოხსნის საფუძველზე, აღნიშნული პოტენციალები აგებულია ეფექტურად (ანალიზური სახით). მოყვანილია მიღებული ამონახსნის შეფასებები კუთხეების წვეროების მახლობლობაში. ანალოგიური შედეგები (როგორც კერძო შემთხვევა) მიღებულია წრიული არისათვის სწორხაზოვანი ჭრილით.

განხილულ იქნა ჰიდროდინამიკის მდგრადობის თეორიის ერთ-ერთი კონკრეტული ამოცანა, კერძოდ ფოროვან ცილინდრებს შორის მოთავსებული სითბოგამტარი სითხის მდგრადობა აზიმუტური წნევის გრადიენტისა და რადიანული სიჩქარის გრადიენტის მოქმედების დროს. სხვადასხვა სახის ბიფურკაციების გადაკვეთის წერტილის მცირე მიდამოში შესწავლილ იქნა ძირითადი დინების მდგრადობის დაკარგვისას წარმოქმნილი სხვადასხვა რხევითი მოძრაობები და გამოკვლეულ იქნა მათი მდგრადობის საკითხები.

III. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

#	პროექტის დასახელება დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	**დრეკადობის ბრტყელი თეორიის ზოგიერთი წრფივი და არაწრფივი საკონტაქტო ამოცანა** მათემატიკა. უწყვეტ გარემოთა მექანიკა **ხელშეკრულების ნომერი FR/86/5-109/14**	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის	ნ. შავლაყაძე	ს. ხარიბეგაშვილი, ო. ჯოხაძე

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები

ა) დასმულია დრეკადობის ბრტყელი თეორიის საკონტაქტო ამოცანები სხვადასხვა მასალისაგან შედგენილი დრეკადი ფირფიტისა და თხელკედლიანი არაერთგვაროვანი დრეკადი ელემენტის(ჩართვის, სტრინგერის) ურთიერთქმედების შესახებ, როდესაც საკონტაქტო პირობა ითვალისწინებს წებოს თხელი ფენის არსებობას.

ბ) მიღებულია სპეციალური ტიპის ექვივალენტური სინგულარული ინტეგრო-დიფერენციალური განტოლება, მოძებნილია და გამოკვლეულია მეთოდები ამ განტოლების როგორც ზუსტი, ასევე მიახლოებითი ამოხსნების მისაღებად, კერძოდ, ფურიეს ინტეგრალური გარდაქმნების და ანალიზურ ფუნქციათა თეორიის მეთოდები, ფაქტორიზაციის მეთოდები, კარლემანის ტიპის (გადაადგილებიანი) სასაზღვრო ამოცანისა და რიმანის ამოცანის ამოხსნის მეთოდები, ორთოგონალურ პოლინომთა მეთოდი და უსასრულო წრფივი ალგებრულ განტოლებთა სისტემის

რეგულარიზაციის მეთოდები.				
#	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2	გრანტი FR |358|5-109|14. დამრეცი და არადამრეცი წრფივი და არაწრფივი თეორიის ზოგიერთი ამოცანა მათემატიკა. უწყვეტ გარემოთა მექანიკა	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი # FR/406/5-106/12 (# 31/18 საგრანტო ხელშეკრულება)	თენგიზ მეუნარგია	თ. მეუნარგია გ. კაპანაძე ი. თავხელიძე ბ. გულუა მ. ნარმანია გ. ახალაია რ. ჯანჯღავა
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები				
1. სტატიაში განსაზღვრულია მოდალური კომპაქტური ჰაუსდორფის სივრცეები და დამტკიცებულია, რომ ეს სტრუქტურები წარმოადგენენ კომპაქტური ჰაუსდორფის სივრცეების კატეგორიაზე ვიეტორისის ფუნქტორის კოალგებრებს. განზოგადებულია დე ვრისისა და იზბელის ორადობის თეორია და დამტკიცებულია სალქვისტის შესაბამისობის თეორემის ვარიანტი დადებითი მოდალური ენისათვის.
2. სტატიაში მოცემულია კონსტრუქციული დამტკიცება იმისა, რომ მოდალური კომპაქტური რეგულარული ფრეიმების კატეგორია ეკვივალენტურია მოდალური დე ვრისის ალგებრების კატეგორიისა.
3. მოდალური სისტემა S4.3 განსაზღვრავს მემკვიდრეობით ექსტრემალურად არაბმული ტოპოლოგიური სივრცეების კლასს. სტატიაში აგებულია [0,1] ნამდვილი ინტერვალის გლისონის დაფარვის ისეთი თვლადი ქვესივრცე, რომლის მიმართაც S4.3 კორექტული და სრული მოდალური ფორმალიზმია.
4. სტატიაში დამტკიცებულია, რომ S4 მოდალური სისტემის ნებისმიერი მოდალური გაფართოება სრულია რაციონალურ რიცხვთა სივრცის შესაბამისი ჩაკეტვიანი ალგებრის რომელიმე ქვეალგებრის მიმართ. ასევე ნაჩვენებია, რომ S4 მოდალური სისტემის ნებისმიერი ბმული ნორმალური გაფართოება სრულია ნამდვილ რიცხვთა სივრცის შესაბამისი ჩაკეტვიანი ალგებრის რომელიმე ქვეალგებრის მიმართ.
5. სტატიაში შესწავლილი და სრულად დახასიათებულია ის მოდალური სისტემები, რომლებიც მიიღება მეტრული სივრცეების კლასის რომელიმე ქვეკლასიდან. შედეგად მიღებულია, რომ ნებისმიერი მეტრული სივრცის მოდალური ლოგიკა სასრულად აქსიომატიზებადია, აქვს სასრული მოდელების თვისება და, შესაბამისად, ამოხსნადია.
6. სტატიაში განხილულია სტაბილური კანონიკური გამოყვანის მრავალდასკვნიანი წესები სისტემებისთვის IPC, K4 და S4. თითოეულ შემთხვევაში დადგენილია დიქოტომიის თვისება და ამ გზით დამტკიცებულია დასაშვები წესების ცხადი აქსიომატური ბაზისის არსებობა.
7. სტატიაში შემოტანილია დადებითი მოდალური მიუ-აღრიცხვის ახალი სემანტიკა დალაგებული ტოპოლოგიური სივრცეების ტერმინებში, კერძოდ კი მოდალური კომპაქტური ჰაუსდორფის სივრცეების საშუალებით. ამ სემანტიკისთვის დამტკიცებულია სალქვისტის შენახვის თეორემა და განვითარებულია შესაბამისობის თეორია.
8. შესწავლილია ერთობლივი რწმენის მოდალური ლოგიკა ნორმალური აგენტებისათვის. განხილულია კრიპკეს სისრულე და ნაჩვენებია, რომ ამ ლოგიკას აქვს ხისებრი მოდელების თვისება. ძირითადი შედეგია რომ ეს არის T_D-თანაკვეთების მიმართ ჩაკეტილი ბიტოპოლოგიური სივრცეების ლოგიკა მოდალობების წარმოებული სიმრავლეებით ინტერპრეტაციისას. გახლეჩვის თარგმანზე დაყრდნობით შესწავლილია კავშირი ერთობლივი ცოდნის ლოგიკასთან.
9. სტატია ეხება იმ კარგად ცნობილი ფაქტის განზოგადებას, რომ პროსასრული T_0 სივრცეები იგივეა რაც სპექტრული სივრცეები, ნებისმიერ ტოპოლოგიურ სივრცეებზე. განზოგადება მიღწეულია კვაზისპექტრული სივრცეებისა და ბიტოპოლოგიური კვაზისპექტრული სივრცეების ტერმინებში. მიღებულია რამდენიმე შედეგი სტაბილურად კომპაქტური სივრცეების, ნაქბინის სივრცეებისა და მათი შესაბამისი ბიტოპოლოგიური სივრცეების კავშირის განზოგადების მიმართულებით არა-T_0 ტოპოლოგიურ სივრცეებზე

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1	David Pearce, Levan Uridia	Trust, Belief and Honesty	*Global Conference on Artificial Intelligence, Tbilisi State University, Tbilisi, Georgia, October 16-19, 2015*
2	Levan Uridia and Dirk Walther	Completeness by Modal Definitions	*TbiLLC 2015: Eleventh International Tbilisi Symposium on Language, Logic and Computation, Tbilisi, Georgia, 21-26 September, 2015*

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1. მოხსენება ეხება ნდობის მოდალურ ლოგიკას. განხილულია ლიაუს მიერ შემოტანილი ლოგიკის მსგავსი მოდალური ლოგიკა, რომლისთვისაც შესწავლილია ნდობის ოპერატორისა და აგენტთა ინდივიდუალური რწმენის ოპერატორების ურთიერთდამოკიდებულება. კერძოდ, შეისწავლება ნდობის ლოგიკის ორი სპეციალური გაფართოება, რომლებშიც აღწერილია პატიოსანი აგენტის შემდეგი თვისებები: პირველში - თუ აგენტი i ენდობა აგენტ j-ს რაიმე გამონათქვამის სისწორის შესახებ, მაშინ აგენტ i-ს სჯერა, რომ ტყუილია, რომ აგენტ j-ს არ სჯერა ეს გამონათქვამი. ასევე, მეორეში - თუ აგენტი i ენდობა აგენტ j-ს რაიმე გამონათქვამის სისწორის შესახებ, მაშინ აგენტ i-ს სჯერა, რომ აგეტნ j-ს სჯერა ეს გამონათქვამი. ნაშრომში ჩვენ ვამტკიცებთ კრიპკეს სისრულის თეორემებს აღნიშნული ლოგიკებისათვის.
2. მოხსენებაში ნაჩვენებია, თუ როგორ მიიღება კრიპკეს სისრულე რიგი მოდალური ლოგიკებისათვის, რომლებიც წარმოადგენენ არსებული კრიპკეს აზრით სრული მოდალური ლოგიკის გაფართოებას ახალი [+] ოპერატორით და ამ ოპერატორის მოდალური განსაზღვრებით [+]p <-> φ, სადაც φ არის ერთ თავისუფალ ცვლადიანი ფორმულა, რომელიც არ შეიცავს [+] ოპერატორს.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Nick Bezhanishvili	Varieties of Heyting algebras and superintuitionistic logics	*BLAST 2015, 5-9 January 2015, Las Cruces, New Mexico, USA*
2	Nick Bezhanishvili	On Jankov–de Jongh formulas	*Heyting Day 2015, Utrecht, The Netherlands*
3	David Pearce, Levan Uridia	A Honest View of Trust	*Workshop on Logical Aspects of Multi-Agent Systems (LAMAS 2015), May 4, 2015, Istanbul, Turkey*
4	Nick Bezhanishvili, David Gabelaia, Silvio Ghilardi, Mamuka Jibladze	Admissible bases via stable canonical rules	*Topology, Algebra and Categories in Logic (TACL 2015), June 21-26, Ischia, Italy*

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1. მოხსენება წარმოადგენს ტუტორიალს, რომელშიც გადმოცემულია ჰეიტინგის ალგებრათა თეორიის საფუძვლები, ჰეიტინგის ალგებრების მრავალნაირობების შესახებ ძირითადი სტრუქტურული თეორემები და მათი კავშირი სუპერინტუიციონისტური ლოგიკების თეორიასთან
2. სამოციან წლებში იანკოვმა და დამოუკიდებლად დე იონგმა შემოიღეს ფრეიმული

ფორმულების მეთოდი, რომელიც შუალედური ლოგიკების აქსიომატიზების მნიშვნელოვანი იარაღი გახდა. მოხსენებაში მიმოხილულია იანკოვ-დე იონგის ფორმულების მეთოდი და განხილულია მისი სხვადასხვა განზოგადებები.

3. მოხსენებაში განხილულია მრავალაგენტიანი რწმენის ლოგიკის ტოპოლოგიურ სემანტიკაში წარმოშობილი ზოგიერთი ტოპოლოგიური ამოცანა
4. მოხსენება ეხება ძირითადი ინტუიციონისტური და მოდალური ლოგიკების დასაშვები მრავალდასკვნიანი წესების ბაზისის აგების მეთოდის აღწერას, რომელიც ემყარება სტაბილური კანონიკური წესის ცნებას.

ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის განყოფილება

განყოფილების გამგე: **მიხეილ მანია**

განყოფილების პერსონალური შემადგენლობა: მ. მანია, თ. ტორონჯაძე, ნ. ლაზრიევა, თ. შერვაშიძე, ო. ფურთუხია,

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

#	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	მარტინგალური მეთოდების გამოყენება სტოქასტურ ფინანსთა თეორიაში, ასიმპტოტურ სტატისტიკასა და ოპტიმალურ მართვაში. ზღვარითი თეორემები და წინმსწრები სტოქასტური ანალიზი.	მ. მანია	თ. ტორონჯაძე, ნ. ლაზრიევა, თ. შერვაშიძე, ო. ფურთუხია,

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ანოტაცია)

შესწავლილია სარგებლიანობის მაქსიმიზირების ამოცანასთან დაკავშირებული დინამიური ფასის ფუნქციისა და ოპტიმალური კაპიტალის პროცესის რეგულარობის თვისებები მთელ რიცხვით ღერძზე განსაზღვრული სარგებლიანობის ფუნქციებისათვის.

მიღებულია ამ ამოცანის ფასის ფუნქციის დიფერეცირებადობისა და მონოტონურობის პირობები. შესწავლილია კავშირი ოპტიმალური ინვესტირების საბაზისო და პირობით ამოცანებს შორის. პირობითი ამოცანის შესაბამისი ოპტიმალური სტრატეგია წარმოდგენილია საბაზისო ამოცანის ოპტიმალური სტრატეგიისა და ოპტიმალური კაპიტალის შებრუნებულის საშუალებით.

ამ თვისებებზე დაყრდნობით ნაჩვენებია, რომ ფასის ფუნქცია შესაბამის შექცეულ სტოქასტურ კერძოწარმოებულებიან დიფერენციალურ განტოლებას აკმაყოფილებს. კერძოდ, სრული ფინანსური ბაზრის შემთხვევაში მოყვანილია ზემოაღნიშნული განტოლების ამონახსნის არსებობის პირობები.

განხილულია სემიმარტინგალებთან დაკავშირებული სტატისტიკური მოდელების ერთ

განზომილებიანი პარამეტრის რეკურსიული შეფასების პროცედურები. ეს პროცედურები იძლევა შესაძლებლობას მიღებული იქნას დასაჯერობის მაქსიმუმის და M–შეფასებების ასიმპტოტურად ექვივალენტური შეფასებები. მათი ასიმტოტური თვისებების კვლევა ეფუძნება რობინს–მონროს ტიპის სტოქასტური განტოლებების ასიმპტოტურ ქცევას. განხილულია სხვადასხვა კერძო შემთხვევა.

განხილულია ეგზოტიკური ტიპის ევროპული ოფციონი ფინანსური ბაზრის ბაშელიეს მოდელის შემთხვევაში, როცა გადასახადის ფუნქცია წარმოადგენს ბინარული და აზიური ოფციონის გარკვეულ კომბინაციას და გამოკვლეულია ჰეჯირების პრობლემატიკა. შესაბამისი ვინერის ფუნქციონალისთვის დადეგნილია კლარკის სტოქასტური ინტეგრალური წარმოდგენის ინტეგრანდი ცხადი სახით.

მოყვანილია ვინერის ფუნქციონალის ქაოტური გაშლის მოძებნის მეთოდი ლებეგის აზრით გასაშუალოებული კვადრატით ინტეგრებადი შემთხვევითი პროცესებისთვის. მიღებულია მარტინგალური წარმოდგენა ვინერის სტოქასტურად არაგლუვი ზოგიერთი ისეთი ფუნქციონალის ფილტრისათვის, რომელთა პირობითი მათემატიკური ლოდინი ბუნებრივი ნაკადის მიმართ მალივენის აზრით სტოქასტურად წარმოებადია და დათვლილია შესაბამისი ინტეგრალქვეშა გამოსახულებები.

III. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

#	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	პირველი და მეორე რიგის შექცეული სტოქასტური დიფერენციალური განტოლებები და მათი გამოყენება სტოქასტურ მართვასა და ფინანსურ მათემატიკაში, #FR/69/5-104/12, საგრანტო ხელშეკრულება N 31/69,2013-2015	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	მ. მანია	თ. ტორონჯაძე, ნ. ლაზრიევა, თ. შერვაშიძე, ო. ფურთუხია, რ. თევზაძე, ბ. ჩიქვინიძე

დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

ოპტიმალური ინვესტირების და ჰეჯირების შეცდომის მინიმიზაციის ამოცანები თანამედროვე ფინანსური მათემატიკის საბაზისო ოპტიმიზაციის ამოცანებს წარმოადგენს. მათი ამოხსნა მჭიდროდ არის დაკავშირებული ფინანსური ვალდებულებების ფასდადებასთან და ამ საკითხების შესწავლას უამრავი გამოკვლევა ეძღვნება.

პრაქტიკული გამოყენებების თვალსაზრისით, არსებითია ამ ამოცანების გადაწყვეტა შეზღუდული ინფორმაციისა და მოდელის განუზღვრელობის პირობებში. პროექტზე მუშაობის დროს ყურადღება იქნა გამოხვილებული ორ მნიშვნელოვან შემთხვევაზე:

1) დაკვირვებადი ნაკადი არ შეიცავდა სრულ ინფორმაციას საბაზისო აქტივების ფასებზე;

2) საბაზისო აქტივების საშუალო ამონაგებისა და ვოლატილობის მხოლოდ დასაშვები მნიშვნელობებია ცნობილი, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში თითქმის არ არის შესწავლილი.

აღნიშნული საკითხების კვლევაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს შექცეულ სტოქასტურ დიფერენციალურ განტოლებათა (შსდგ) თეორია და პროექტის ერთ-ერთ მიზანს ამ თეორიის განვითარებაც წარმოადგენდა.

შექცეული სემიმარტინგალური განტოლებების ამონახსნის თვისებების გამოყენებით მიღებულია BMO- მარტინგალების ნორმების ახალი შეფასებები. ეს შეფასებები გამოყენებულია

სარგებლიანობის მაქსიმიზირების ამოცანის ფასის ფუნქციის შესასწავლად.

შესწავლილია სარგებლიანობის მაქსიმიზირებისა და ჰეჯირების ამოცანის შესაბამისი ფასის ფუნქციის ანალიზური თვისებები. ნაჩვენებია, რომ ფასის ფუნქცია ორჯერ უწყვეტად დიფერენცირებადია და ოპტიმალური კაპიტალის პროცესი ზრდადია და დიფერენცირებადი საწყისი კაპიტალის მიმართ. ფასის პროცესის ამ თვისებებზე დაყრდნობით დამტკიცებულია, რომ საშუალო სარგებლიანობის მაქსიმიზაციის შესაბამისი ფასის პროცესი ბელმანის სტოქასტური დიფერენციალური განტოლების ერთადერთ ამონახსნს წარმოადგენს. ამ განტოლების ამონახსნის საშუალებით აიგება ოპტიმალური სტრატეგია.

ჩვენ ძირითად ამოცანას ზემოაღნიშნული პრობლემების სტატისტიკური და გამოთვლითი ასპექტების შესწავლაც წარმოადგენდა. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო რობასტული და რეკურსიული შეფასებების აგებას ზოგადი სემიმარტინგალური მოდელებისათვის.

შესწავლილია სემიმარტინგალურ სტატისტიკურ მოდელებთან დაკავშირებული პარამეტრის რეკურსიული შეფასებების პროცედურები. რობინს-მონროს ტიპის სტოქასტურ დიფერენციალური განტოლების ამონახსნის ყოფაქცევაზე დაყრდნობით გამოყვანილია უცნობი პარამეტრის რობასტული და რეკურსიული შეფასებების ასიმპტოტური თვისებები.

განხილულია ევროპული ოფციონის ჰეჯირების ამოცანა ფინანსური ბაზრის ბლეკ-შოულსის მოდელში. როგორც ცნობილია, ჰეჯირების პრობლემის გადაწყვეტის ეფექტური მეთოდია კლარკ-ოკონეს სტოქასტური ინტეგრალური წარმოდგენის ფორმულა, მაგრამ განსახილველ შემთხვევაში აღნიშნული ფორმულის გამოყენება ვერ ხერხდება, ვინაიდან ჩვენ მიერ განხილული გადასახადის ფუნქცია არაა დიფერენცირებადი მალივენის აზრით. შემოთავაზებულია ჰეჯირების ამოცანის გადაჭრის არატრადიციული მეთოდი, რისთვისაც გამოყენებულია სემიმარტინგალის ლოკალური დროის ცნება და მისი კავშირიჭვრეტად კვადრატულ მახასიათებელთან. მიღებულია ბერნშტეინის ფუნქციის ბინომური კოეფიციენტების ზედა საზღვრის შეფასებები. ეს შეფასებები გამოყენებულია განაწილების კვანტილების სტოქასტური აპროქსიმაციის მისაღებად.

IV. პუბლიკაციები

ა) საქართველოში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ქ. მანჯგალაძე, გ.სოხაძე, ო.ფურთუხია	გამოყენებითი სტატისტიკის საფუძვლები	თბილისი, თსუ გამომცემლობა	343 გვერდი

ანოტაცია

სახელმძღვანელო მოიცავს აღწერითი (დესკრიფციული) სტატისტიკის, ალბათობის თეორიის და სტატისტიკური დასკვნების თეორიის მნიშვნელოვან ასპექტებს. მასში თვალსაჩინოდაა გადმოცემული ის ძირითადი საკითხები, რომლებიც ყველაზე უფრო ხშირად გვხვდება თანამედროვე გამოყენებით კვლევებში. წიგნი არაა გადატვირთული მათემატიკური დებულებების დამტკიცებებით, ძირითადი აქცენტი გადატანილია შინაარსობრივ მხარეზე და სამოტივაციო და საილუსტრაციო მაგალითებზე. სახელმძღვანელო შედგენილია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამჟამად მოქმედი სასწავლო პროგრამებისა და სილაბუსების მიხედვით ისეთ დისციპლინებში როგორიცაა: "სტატისტიკა 1", "სტატისტიკა 2" , "სტატისტიკა არქეოლოგებისათვის" , "სამეცნიერო მონაცემთა ანალიზი", "მათემატიკური სტატისტიკა ეკონომისტებისათვის", "გამოყენებითი სტატისტიკა" , "კვლევის სტატისტიკური მეთოდები". სახელმძღვანელო განკუთვნილია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატისტიკის (ფართო გაგებით) შემსწავლელი სამივე საფეხურის სწავლების სტუდენტებისათვის. იგი სასარგებლო იქნება სტატისტიკის გამოყენებითი ასპექტებით დაინტერესებული ნებისმიერი მკითხველისათვის.

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ო. ფურთუხია	ალბათურ-სტატისტიკური ამოცანები (მესამე გამოცემა)	თბილისი, თსუ გამომცემლობა	562 გვერდი

ანოტაცია

სახელმძღვანელოში სრულად და საფუძვლიანად არის გადმოცემული თანამედროვე ალბათობის თეორიისა და მათემატი-კური სტატისტიკის წინაშე წამოჭრილი უმნიშვნელოვანესი პრაქტიკული და თეორიული ხასიათის საკითხები. თითოეულ თემას წინ უძღვის აუცილებელი თეორიული შედეგები, შემდეგ მოყვანილია მრავალი საილუსტრაციო და სამოტივაციო მაგალითი ადა-მიანის მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროდან, განხილულია მათი გადაწყვეტის მეთოდები და ხერხები. ასევე მოყვანილია ამოცანები დამოუკიდებელი მუშაობისათვის. მას დართული აქვს ძირითადი და მნიშვნელოვანი ალბათური განაწილებების ცხრილები, EXჩEL-ის სტატისტიკური ფუნქციების აღწერა და უკანასკნელ ხუთ წელიწადში თსუ-ში შუალედურ და საბოლოო გა-მოცდებზე მოტანილი ბილეთების ნიმუშები. სახელმძღვანელო შედგენილია თსუ-ში ამჟამად მოქმედი სასწავლო პროგრა-მებისა და სილაბუსების მიხედვით.

სახელმძღვანელო განკუთვნილია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმ სტუდენტებისა და მაგისტრანტებისათვის, რომლებიც სწავლობენ ალბათობის თეორიასა და მათემატიკურ სტატისტიკას. იგი სასარგებლო იქნება აგრეთვე ალბათურ-სტატის-ტიკური მეთოდების პრაქტიკული გამოყენებებით დაინტერესებული სხვადასხვა პროფილის სპეციალისტთა ფართო წრისათვის.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ო.ფურთუხია, ო. ღლონტი, ვ.ჯაოშვილი	Hedging of European Option of Exotic Type. **Proceedings of A. Razmadze Mathematical Institute.**	Vol. 168, 2015. pp. 25-40.	თბილისი, თსუ გამომცემლობა	16 გვერდი
2	ო. ფურთუხია	Martingal Representation of Wiener functional **Reports of Enlarged Session of the Seminar of I. Vekua Institute of Applied Mathematics.**	Volume 29, 2015	თბილისი, თსუ გამომცემლობა	5 გვერდი
3	მ. მანია და რ. თევზაძე	On the properties of dynamic value functions in the problem of optimal investment in incomplete market, **Georgian Mathematical Journal.**	Vol. 22, Issue 1, 2015	De Gruyter@Co, Germany	pp. 111-130
4	მ. მანია და რ. თევზაძე	On regularity of dynamic value function related to the utility maximization problem, **Proceedings of A. Razmadze Mathematical Institute**	V. 168, 2015,	თბილისი, თსუ გამომცემლობა	16 გვერდი
5	მ. მანია და	The relation between the basic and conditional utility optimization	Vol. 65, 2015	თბილისი, თსუ გამომცემლობა	9 გვერდი

	რ. თევზაძე	problems, **Proceedings of I. Vekua Institute of Applied Mathematics**			
6	ნ. ლაზრიევა, დ თ. ტორონჯაძე	Semimartingale Recursive estimation Procedures, submitted to **Proceedings of A. Razmadze Mathematical Institute**		თბილისი, თსუ გამომცემლობა	16 გვერდი

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. განხილულია ეგზოტიკური ტიპის ევროპული ოფციონი ფინანსური ბაზრის ბაშელიეს მოდელის შემთხვევაში, როცა გადასახადის ფუნქცია წარმოადგენს ბინარული და აზიური ოფციონის გარკვეულ კომბინაციას და გამოკვლეულია ჰეჯირების პრობლემატიკა. შესაბამისი ვინერის ფუნქციონალისთვის დადეგნილია კლარკის სტოქასტური ინტეგრალური წარმოდგენის ინტეგრანდი ცხადი სახით.
2. ნაშრომში მოყვანილია ვინერის ფუნქციონალის ქაოტური გაშლის მოძებნის მეთო დი ლებეგის აზრით გასაშუალოებული კვადრატით ინტეგრებადი შემთხვევითი პრო ცესებისთვის. მიღებულია მარტინგალური წარმოდგენა ვინერის სტოქას ტურად არაგლუვი ზოგიერთი ისეთი ფუნქციონალის ფილტრისათვის, რომელთა პირობითი მათემატიკური ლოდინი ბუნებრივი ნაკადის მიმართ მალივენის აზრით სტოქასტურად წარმოებადია და დათვ ლილია შესაბამისი ინტეგრალქვეშა გამოსახულებები. 3. შესწავლილია სარგებლიანობის მაქსიმიზირებისა და ჰეჯირების ამოცანის შესაბამისი ფასის ფუნქციის დიფერეციერებადობისა და მონოტონურობის თვისებები.
4. შესწავლილია სარგებლიანობის მაქსიმიზირების ამოცანასთან დაკავშირებული დინამიური ფასის ფუნქციისა და ოპტიმალური კაპიტალის პროცესის რეგულარობის თვისებები მთელ რიცხვით ღერძზე განსაზღვრული სარგებლიანობის ფუნქციებისთვის. ამ თვისებებზე დაყრდნობით ნაჩვენებია, რომ ფასის ფუნქცია შესაბამის შექცეულ სტოქასტურ კერძოწარმოებულებიან დიფერენციალურ განტოლებას აკმაყოფილებს. კერძოდ, სრული ფინანსური ბაზრის შემთხვევაში მოყვანილია ზემოაღნიშნული განტოლების ამონახსნის არსებობის პირობები.
5. შესწავლილია კავშირი ოპტიმალური ინვესტირების საბაზისო და პირობით ამოცანებს შორის. პირობითი ამოცანის შესაბამისი ოპტიმალური სტრატეგია წარმოდგენილია საბაზისო ამოცანის ოპტიმალური სტრატეგიისა და ოპტიმალური კაპიტალის შებრუნებულის საშუალებით.
6. განხილულია სემიმარტინგალებთან დაკავშირებული სტატისტიკური მოდელების ერთ განზომილებიანი პარამეტრის რეკურსიული შეფასების პროცედურები. ეს პროცედურები იძლევა შესაძლებლობას მიღებული იქნას დასაჯერობის მაქსიმუმის და M–შეფასებების ასიმპტოტურად ექვივალენტური შეფასებები. მათი ასიმტოტური თვისებების კვლევა ეფუძნება რობინს–მონროს ტიპის სტოქასტური განტოლებების ასიმპტოტურ ქცევას. განხილულია სხვადასხვა კერძო შემთხვევა.

2) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ო.ფურთუხია ო. ღლონტი	Об одном интегралном представлении броуновского функционала.	მიღებულია დასაბეჭდად ჟურნალში: “Теория вероятностей и ее	მოსკოვი, სტეკლოვის მათემატიკის ინსტიტუტის გამომცემლობა	12

			применения		
2	მ. მანია, რ. თევზაძე	On regularity of primal and dual dynamic value functions related to the optimal investment problem,	გადაცემულია ჟურნალში “The Open Statistics and Probability Journal”		25
ანოტაცია					
1. ნაშრომში შემოთავაზებულია ინტეგრალქვეშა გამოსახულების ცხადი სახით დადგენის მეთოდი კვადრატით ინტეგრებადი ბროუნის ფუნქციონალის კლარკის სტოქასტურ ინტეგრალურ წარმოდგენაში, როცა ფუნქციონალის პირობითი მათემატიკური ლოდინებიდან ბუნებრივი ფილტრაციის მიმართ ამოირჩევა მალივენის აზრითსტოქასტურად გლუვი შემთხვევითი სიდიდეების კრებადი ქვემიმდევრობა. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა ცხადი სახით დავადგინოთ ინტეგრალქვეშა გამოსახულებები პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით ბუნებრივი მრავალი ისეთი ფუნქციონა¬ლის¬თვის, რომელსაც არ გააჩნია მალივენის წარმოებული.					

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ო. ფურთუხია	ეგზოტიკური ტიპის ევროპული ოფციონის ჰეჯირება	თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-3 კონფერენცია, თბილისი, 2-7 თებერვალი, 2015.
2	ო. ფურთუხია	ვინერის ფუნქციონალების მარტინგალური წარმოდგენის შესახებ.	ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის XXIX გაფართოებული სემინარის სხდო-მები. თბილისი, 2015 წ., 22-24 აპრი-ლი.
3	ო. ფურთუხია	Clarl-Ocone representation of non-smooth Wiener functionals	საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის VI საერთაშორისო კონფერენცია. ბათუმი, 2015, 12-16 ივლისი.
4	ო. ფურთუხია, ბ.დოჭვირი, მ.შაშიაშვილი	Sensitivity Analysis of the early exercise boundary with respect to variations of the local volatility	International Conference on Probability Theory and Statistics. Tbilisi, September 7-12, 2015. Program & Abstracts. p.21.
5	ო. ფურთუხია, ბ.დოჭვირი	Martingale integral representation and its application in financial mathematics.	The First SDSU – Georgia STEM WORKSHOP on Nanotechnology and Environmental Sciences September 5, 2015, Tbilisi, Georgia
6	მ. მანია	On regularity of dynamic value function related to the utility maximization problem	International conference on probability theory and statistics, September 7-12, 2015, Tbilisi. Program & Abstracts. p.15
მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე			

1. განხილულია ეგზოტიკური ტიპის ევროპული ოფციონი, რომლის გადასახადის ფუნქცია წარმოადგენს ბინარული და აზიური ოფციონების გადასახადის ფუნქციების გარკვეულ კომბინაციას და შესწავლილია ჰეჯირების ამოცანა. გამოყვანილია შესაბამისი ვინერის ფუნქციონალების კლარკის სტოქასტური ინტეგრალური წარმოდგენის ფორმულა ცხადი ინტეგრანდით.
2. მოყვანილია ვინერის ფუნქციონალის ქაოტური გაშლის მოძებნის მეთო¬დი ლებეგის აზრით გასაშუალოებული კვადრატით ინტეგრებადი შემთხვევითი პრო¬ცესებისთვის. მიღებულია მარტინგალური წარმოდგენა ვინერის სტოქას¬ტურად არაგ¬ლუვი ზოგიერ¬თი ისეთი ფუნქციონალის ფილტრისათვის, რომელთა პირობითი მათემატიკური ლოდინი ბუნებრივი ნაკადის მიმართ მალივენის აზრით სტოქასტურად წარმოებადია და დათვ¬ლილია შესაბამისი ინტეგრალქვეშა გამოსახულებები.
3. მიღებულია კლარკ-ოკონეს ფორმულის განზოგადოება ინტეგრალური ტიპის არაგლუვი ვინერის ფუნქციონალისათვის და დადგენილია სტოქასტური ინტეგრალის ინტეგრანდი ნორმალური განაწილების სიმკვრივისა და განაწილების ფუნქციის ტერმინებში.
4. გამოკვლეულია სხვადასხვა ლოკალური ვოლატილობის ფუნქციის მქონე ამერიკული პუტ ოფციონის ადრეული აღსრულების არის საზღვრების შეფასების საკითხები ვოლატილობებს შორის თანაბარი მანძილის საშუალებით.
5. ვინერის სტოქასტურად არაგლუვი ზოგიერთი ფუნქციონალისათვის მიღებულია სტოქასტური ინტეგრალური წარმოდგენა ცხადი ინტეგრალქვეშა გამოსახულებით, რომელიც გამოყენებულია ევროპული ოფციონის ფასდადების ამოცანის გადაწყვეტაში.
6. გამოკვლეულია სარგებლიანობის მაქსიმიზირების ამოცანასთან დაკავშირებული დინამიური ფასის ფუნქციის რეგულარობის თვისებები და ამ თვისებებზე დაყრდნობით ნაჩვენებია, რომ ფასის ფუნქცია შესაბამის შექცეულ სტოქასტურ კერძოწარმოებულებიან დიფერენციალურ განტოლებას აკმაყოფილებს.

ბ) უცხოეთში

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ო. ფურთუხია	Integral representation of non-smooth Brownian Functional	International Conference “Probability, Reliability and Statistics, PRESTO-2015. Kiev, 7-11 April.
2	მ. მანია	On the properties of dynamic value functions the problem of optimal investment in incomplete markets	The Workshop: Stochastic Analysis, Control Dynamical Systems and Applications. Jena, Germany, March 9-13, 2015. Abstracts p. 11.

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1. გამოკვლეულია ინტეგრალური ტიპის ბროუნის ფუნქციონალების მალივენის აზრით წარ-მოებადობის საკითხები. აღწერილია ინტეგრალური ტიპის არაგლუვი ბროუნის ფუნქციონალე-ბის ინტეგრალური წარმოდგენის სხვადასხვა მეთოდები და მათი შესაძლო გამოყენებები სტოქასტურ ფინანსურ მათემატიკაში, კერძოდ ევროპული ტიპის ოფციონების ჰეჯირების პრობლემატიკაში .
2. დადგენილია სარგებლიანობის მაქსიმიზირებისა და ჰეჯირების ამოცანის შესაბამისი ფასის ფუნქციის დიფერეცირებადობისა და მონოტონურობის პირობები.

დამატებითი ინფორმაცია

ინსტიტუტის თანამონაწილეობით ჩატარდა კონფერენცია:

International Conference on Probability Theory and Statistics. Tbilisi, September 7-12, 2015.

რეცენზირება:

თ. ტორონჯაძემ დაწერა რეცენზია ჟურნალისთვის “Stochastics”,
მ. მანიამ ჟურნალებისთვის “Annals of Probability” და ”Stochastic Processes and their Applications”
ნ. ლაზრიევამ ჟურნალისთვის “Proceedings of A. Razmadze Math. Institute

სამეცნიერო მივლინებები საზღვარგარეთ

გვარი, სახელი	მივლინების მიზანი	დრო და ადგილი
მ. მანია	კონფერენციაში მონაწილეობა	8-14 მარტი, 2015, იენა, გერმანია
ო. ფურთუხია	კონფერენციაში მონაწილეობა	6-12 პრილი, 2015, კიევი

თეორიული ფიზიკის განყოფილება

განყოფილების გამგე: **მერაბ ელიაშვილი**

განყოფილების პერსონალური შემადგენლობა: ვ. გარსევანიშვილი, ზ. გიუნაშვილი, ვ. გოგოხია, ა. კვინიხიძე, გ. ლავრელაშვილი, ბ. მაღრაძე, ა. შურღაია, ა. ხვედელიძე, გ. ციციშვილი, გ. ჯორჯაძე

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

#	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	თანამედროვე კვანტური ველის თეორიის მათემატიკური მეთოდების განვითარება და გამოყენება ყალიბურ თეორიებში, გრავიტაციაში და დაბალგანზომილებიან ფიზიკურ სისტემებში	გიორგი ლავრელაშვილი	ვახტანგ გარსევანიშვილი, ზაქარია გიუნაშვილი, ვახტანგ გოგოხია, მერაბ ელიაშვილი, ალექსანდრე კვინიხიძე, ბადრი მაღრაძე, ავთანდილ შურღაია, გიორგი ციციშვილი, არსენ ხვედელიძე, გიორგი ჯორჯაძე
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
ამოცანა 1. Su-Schrieffer-Heeger მოდელები ანიზოტროპიის მაღალი ხარისხით. (მ. ელიაშვილი, გ. ციციშვილი) განხილულია ერთგანზომილებიანი მესერები (ჯაჭვი) კვანძთაშორის გადახტომების სამჯერადი			

და ოთხჯერადი ანიზოტროპიით. მიღებულია შესაბამისი დისპერსიული თანაფარდობები და დადგენილია სპექტრში ღრეჭოს არსებობა/არარსებობის პირობები. მომავალში იგეგმებდა ტოპოლოგიური მახასიათებლების ძიება, რომლებიც განასხვავებენ სხვადასხვა იზოლატორულ ფაზებს.

ამოცანა 2. ჭავლის ჩაქრობის მოვლენა ბირთვ-ბირთვულ დაჯახებებში
(ვ. გარსევანიშვილი)
შესცავლილია ჭავლის ჩაქრობის მოვლენა ბირთვ-ბირთვულ დაჯახებებში.
შედარებულია ერთმანეთან ჩჩ და ჩთა დაჯახებებში დაბადებული ჭავლები.
ნაჩვენებია, რომ ჩჩ დაჯახებებსში ჭავლი უპრო მკვეტრად არის გამოხატული ვიდრე
ჩთა დაჯახებებში. ქსპერიმენტი ჩატარებულია დუბნის ბირტვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტის ორმეტრიან პროპანის კამერაზე.

ამოცანა 3. ინტეგრებადობა სიმის და ველის თეორიებში
(გ. ჯორჯაძე)
შესწავლილი იქნა სუპერნაწილაკის დინამიკა მაღალგანზომილებიან ანტი–დესიტერულ სივრცეებში. შემოთავაზებული იქნა AdS_{N+1} სივრცეში ბოზონური ნაწილაკის შესაბამისი SO(2.N) სიმეტრიის გენერატორების სუპერგაფართოება ოსცილატორული ცვლადების გამოყენებით. კერძოდ, ბოზონურ ოსცილატორულ ცვლადებს, რომლებიც გარდაიქმნებიან SO(N) ბრუნვის ჯგუფის ვექტორული წარმოდგენის მიხედვით, ემატებათ SO(N) ჯგუფის სპინორული წარმოდგენის შესაბამისი ფერმიონული ისცილატორული ცვლადები. შედეგად მიიღწევა SO(2.N) ჯგუფის სუპერგაფართოების გენერატორების აგება, რაც წარმოადგენს AdS_2 სივრცეში უკვე მიღებული სუპერნაწილაკის დინამიკის აღწერის განზოგადოებას.

ამოცანა 4. *SU*(3) ყალიბური ველების თერმოდინამიკური სიდიდეების ანალიზური აღწერა, გლუონური პლაზმის დინამიკის შესწავლა
(ვ. გოგოხია, ა. შურღაია)
SU(3) ყალიბური ველების თერმოდინამიკა მესერზე აღწერილია ანალიზურად შედგენილი ოპერატორის ეფექტური პოტენციალის მიახლოებაში, რომელიც განზოგადებულია არანულოვანი სასრული ტემპერატურისთვის.

ამოცანა 5. *დისპერსიული მიდგომა კვანტურ ქრომოდინამიკაში.*
(ბ. მაღრაძე)
შესწავლილი იქნა ტაუ-ლეპტონის ადრონული ინკლუზიური დაშლები ვექტორულ არხში დისპერსიული მიდგომით კვანტურ ქრომოდინამიკაში. თეორიული პარამეტრების გამოთვლის მიზნით გამოყენებული იქნა 2013/2014 კოლაბორაციის სპექტრალური მონაცემები ტაუ-ლეპტონის დაშლებიდან. ადრონული დენების კორელაციური ფუნქციისთვის გამოყვანილი იქნა სასრული ენერგიების ჯამთა წესები ბმის ფუნქციის ლანდაუს სინგულარობების გათვალისწინებით. ვაკუუმური კონდენსატების შესაბამისი არაპერტურბაციული წვლილების შემცირების მიზნით კვარკ-ადრონული დუალობის პირობა გამოყენებული იქნა ენერგიით ქვემოდან შეზღუდულ ინტერვალზე. კონდენსატების წვლილების ჩახშობის მიზნით ჯამთა წესებში შერჩეული იქნა წონითი ფუნქციების სპეციალური კლასი. ეს მოთხოვნა ზღუდავს დუალობის ზღურბლის ენერგიას და იგი დამოკიდებული ხდება კვანტური ქრომოდინამიკის სკალის პარამეტრზე. ამ ორი პარამეტრისთვის დამატებითი განტოლება მიიღება ვილსონის ოპერატორულ გაშლაში განზომილებით d=2 ოპერატორის არ არსებობის პირობიდან. გამოთვლებში შედარებული იქნა სამი სხვადასხვა მეთოდი, ფიქსირებული რიგის შეშფოთების თეორია, კონტურზე გაუმჯობესებული შეშფოთების თეორია და დისპერსიული შეშფოთების თეორია. პარამეტრები ამოხსნილი იქნა რიცხვითი მეთოდით. არჩეული სამი მეთოდი იძლევა განსხვავებულ მაგრამ ცთომილების ფარგლებში თავსებად შედეგებს ზღურბლის ენერგიისთვის და ძლიერი ურთიერთმოქმედების მუდმივისთვის. დემონსტრირებული იქნა რომ შედეგები სტაბილურია წონითი ფუნქციის შეცვლის მიმართ შერჩეულ კლასში. კონდენსატების გამოთვლის მიზნით ჯამთა წესებში დუალობის არე შეზღუდული იქნა ზემოდან იმავე დუალობის წერტილით. გამოთვლილი იქნა რამოდენიმე კონდენსატის რიცხვითი სიდიდე და

განუსაზღვრელობა. მიღებული რიცხვითი შედეგები თავსებადია სხვა მეთოდებით მიღებულ ცნობილ შედეგებთან.
ამოცანა 6. კოსმიური გაფართოება ქვაზიდილატონურ მასიურ გრავიტაციაში (გ. ლავრელაშვილი) კვასიდილატონური მასიური გრავიტაცია გვთავაზობს ფიხიკურად კარგად განმარტებულ გრავიტაციულ თეორიას გრავიტონის არანულოვანი მასით. ჩვენ წარმოვადგინეთ დინამიური განტოლებების სრული სისტემა, რომელიც მართებულია რადიაციულად დომინირებად, მატერიის დომინირებად და თვით-აჩქარებულ ეპოქებში. ნაჩვენებია რომ გრავიტაციული ტალღების ეფექტური მასა ამ თეორიაში შესაძლოა ბევრათ აღემატებოდეს გრავიტონის მასას, რაც გვაძლევს იმის შესაძლებლობას რომ ერთი თეორიის ფარგლებში ავხსნათ აჩქარებული გაფართოება და ანომალიები კოსმიურ მიკროტალღურ გამოსხივებაში.
ამოცანა 7. ძლიერი ლაზერით ინდუცირებული დამუხტული ნაწილაკის სპინის ევოლუცია (ა. ხვედელიძე) სპინით გამოწვეულ ეფექტების რაოდენობრივად შეფასებისათვის ჩამოყალიბებულია ლაზერის მატერიისთან ურთიერთქმედების მოდელი დიპოლური მიახლოების მიღმა. მოდელის რიცხვითი ანალიზის საშუალებით დადგენილია სპინის გადატრიალების ალბათობის რეზონანსული ხასიათი რომელიც დამოკიდებულია ლაზერის ინტენსიობაზე, პოლარიზაციაზე და დამუხტული ნაწილაკის გირომაგნიტულ შეფარდებაზე.

III. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

#	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	კვანტური ჯგუფი და ტოპოლოგიურად არატრივიალური მდგომარეობები დაბალგანზომილებიან ფერმიონულ სისტემებში	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	გ. ციციშვილი,	გ. ციციშვილი, მ. ელიაშვილი
2	ინტეგრებადობა სიმის და ველის კვანტურ თეორიებში	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	გ. ჯორჯაძე	გ. ჯორჯაძე, ლ. მეგრელიძე
3	მეტასტაბილური ვაკუმის დაშლა გრავიტაციის გათვალისწინებით	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	გ.ლავრელაშვილი	გ.ლავრელაშვილი

დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

1. შესწავლილია სპინური დენების წარმოშობის საკითხი ორგანზომილებიან შემოსაზღვრულ სისტემებში. ნაჩვენებია, რომ გარკვეული სასაზღვრო პირობების შემთხვევაში წმინდა სპინური დენების არსებობისათვის საჭიროა სპინ-ორბიტალური და ზეემანის ურთიერთქმედებათა ზედდება.
2. AdS_2 მასიური სუპერ–ნაწილაკისთვის განხილული იქნა ჰამილტონური რედუქცია და კანონიკური დაკვანტვა დაფუძნებული OSP(1|2)/SO(1,1) მოდელზე. სისტემა აღწერილი იქნა ორბიტული მეთოდით. აგებული იქნა სუპერიზომეტრიის ჯგუფის გენერატორები და

გამოთვლილის იქნა სუპერნაწილაკის ენერგეტუკული სპექტრი.

პოლმეიერის რედუქციით მიღებული ამოხსნების კლასი დაკავშირებული იქნა იზომეტრიის ჯგუფის ორბიტასთან და იზომეტრიის ჯგუფის დინამიკურ ინტეგრალთა დახმარებით აგებული იქნა ყალიბურად ინვარიანტულ ცვლადების სრული კრებული $AdS_3 \times S^3$ ნაწილაკის დინამიკის აღწერისთვის.

უმასო AdS_2 ნაწილაკისთვის აგებული იქნა უსასრულო რაოდენობის შენახვადი სიდიდეები, რომელთა პუასონის ფრჩხილები ადგენენ ვიტის ალგებრას. შესწავლილი იქნა ამ ალგებრის შესაძლო კვანტური რეალიზაცია.

3. შესწავლილია უარყოფითი მოდის პრობლემა ინსტანტონებისათვის რომლებსაც გააჩნიათ Q-ფაკტორის უარყოფითი არე. ნაპოვნია რომ წრფივი შეშფოთებების ტალღური ფუნქცია არასინგულარულია ამ შემთხვევაშიც. ნაჩვენებია რომ სტანდარტულ ტუნელირების უარყოფით მოდის გარდა ამ შემთხვევაში ჩნდება უსასრულოდ ბევრი დამატებითი უარყოფითი მოდა. მათი ფიზიკური მნიშვნელობა და ინტერპრეტაცია ჯერ კიდევ გაურკვეველია.

IV. პუბლიკაციები

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	G. Jorjadze, L. Megrelidze	*Gauge invariant quantization of* $AdS_3 \times S^3$ *particle dynamics*	Proc. A. Razmadze Math. Inst. **167** (2015), 113-118	თბილისი, რაზამძის მატემატიკის ინსტიტუტი	5

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. ნაწილაკის დინამიკა $AdS_3 \times S^3$ სივრცეში აღწეილი იქნა $Sl(2,R)$ და $SU(2)$ ჯგუფების ცვლადებით. იზომეტრიის ჯგუფის შესაბამისი დინამიკური ინტეგრალების დახმარებით აგებული იქნა ყალიბურად ინვარიანტული ცვლადების სრული კრებული. შესაბამისი სიმეტრიის გენერატორებით რეალიზებული იქნა $Sl(2,R)$ და $SU(2)$ ჯგუფების ჰოლშტეინ–პრიმაკოვის წარმოდგენა.

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	V.Gogokhia, A. Shurgaia, M. Vasuth	"Analytic description of SU(3) lattice thermodynamics in the whole temperature range within the mass gap approach", Eur. Phys. J. A	გადაცემულია გამოსაქვეყნებლად	შპრინგერი	38
2	M.Heinze, G. Jorjadze, L. Megrelidze	Isometry Group Orbit Quantization of Spinning Strings in $AdS_3 \times S^3$	J.Phys. **A 48** (2015) 12, 125401	დიდი ბრიტანეთი	17
3	M. Heinze, B. Hoare, G. Jorjadze, L. Megrelidze	Orbit method quantization of the AdS_2 superparticle	J.Phys. **A 48** (2015) 31, 315403	დიდი ბრიტანეთი	18

4	A.Khvedelidze and I.Rogojin	On the geometric probability of entangled mixed states	Journal of Mathematical Sciences, 209, N 6, pp. 988 –1004, (2015)	შპრინგერი	17
5	V.Gerdt, A.Khvedelidze and Y.Palii	Constructing the SU(2) × U(1) Orbit Space for Qutrit Mixed States	Journal of Mathematical Sciences, 209, N 6, pp. 878-889, (2015)	შპრინგერი	12
6	ბ.ბლანკლეიდერი, ა.კვინიხიძე, ზ.სილაგაძე	ნაწილაკ-ანტინაწილაკის ბმული მდგომარეობის სამ ფოტონად დაშლის ყალიბურად ინვარიანტული ფორმულირება	Phys.Rev. D92 (2015) 4, 045032	აშშ, ამერიკული ფიზიკური საზოგადოება	20
7	M.Koehn, G.Lavrelashvili and J.-L.Lehners,	Towards a solution of the negative mode problem in quantum tunneling with gravity	Phys. Rev. D92, 2 (2015) 023506	აშშ, ამერიკული ფიზიკური საზოგადოება	16

ანოტაციები

1. *SU*(3) ყალიბური ველების თერმოდინამიკური ყოფაქცევა მესერზე აღწერილია ანალიზურად ტემპერატურის მთელ - [0, ∞] არეში. არეთვე აღწერილია *SU*(3) გლუონური პლაზმის დინამიკა.

2. ნაწილაკის და სიმის დინამიკა $AdS_3 \times S^3$ სივრცეში შესწავლილი იქნა $SU(1,1) \times SU(2)$ ჯგუფური ცვლადების გამოყენებით. აღწერილი იქნა მბრუნავი სიმების ამოხსნების კლასი სტატიკურ ყალიბში და გამოთვლილი იქნა მათი სპექტრი, ორბიტების მეთოდით დაკვანტვისას.
ეს სპექტრი არის ოსცილატორული ხასიათის და ძლიერი ბმის დროს აღწერს მოკლე სიმებს დახვევის რიცხვთა გარკვეული მნიშვნელობებისათვის.

3. მასიური სუპერნაწილაკის დინამიკა AdS_2 სივრცეზე აღწერილი იქნა OSP(1|2)/SO(1,1) მოდელზე დაფუძნებული ჰამილტონური რედუქციით და შემდგომი კანონიკური დაკვანტვით. ფაზური სივრცე წარმოდგენილი იქნა როგორც sl(2,R) ალგებრის დროის მაგვარი ელემენტის ორბიტა. ამ ორბიტაზე აგებული იქნა სიმპლექტური სტრუქტურა და OSP(1|2) სიმეტრია რეალიზებული იქნა ნოტერის მუხტთა პუასონის ფრჩხილების გამოთვლით. დაკვანტვისათვის გამოყენებული იქნა ერთი ბოზონური და ერთი ფერმიონული ოსცილატორული ცვლადები, რომლითაც მიღებული იქნა osp(1|2) ალგებრის ჰოლშტეინ–პრიმაკოვის ტიპის რეალიზაცია. გამოთვლილი იქნა სუპერნაწილაკის ენერგეტუკული სპექტრი.

4. განხილულია ორი კუბიტისგან ან კუბიტ-კუტრიტისგან შემდგარი ორ ნაწილოკოვანი სისტემების "განცალკევების გეომეტრიული ალბათობა", როგორც ფარდობითი მოცულობა სეპერაბელური მდგომარეობებისა ყველა მდგომარეობის მოცულობასთან.
აუცილებელი და საკმარისი პირობები 2-კუბიტ მდგომარეობის განცალკევებისათვის ჩამოყალიბებულია ლოკალური SU (2) ⊗ SU (2) ინვარიანტული პოლინომებიის ენაზე, კორელაციური მატრიცის დეტერმინანტით და შლენც-მაჰლერის (Schlienz-Mahler) მატრიცის სახით.

5. განხილულია G: = SU (2) × U (1) ⊂ U (3) ჯგუფიის ორბიტების სივრცე შეუღლებულად მოქმედი სამ- დონიანი კვანტური სისტემის მდგომარეობების სივრცეში.
ორბიტების სივრცის სემილაგებრული სტრუქტურა განსაზღვრულია პროცესი-შვარცის (Procesi-Schwarz) მეთოდი ფარგლებში.

6. კვარკ-ანტიკვარკის ბმული მდგომარეობის სამ ფოტონად დაშლის პროცესები წარმოადგენენ თანამედროვე ძლიერი ურთიერთქმედების თეორიის (კვანტური ქრომოდინამიკის) შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის წყაროს. ამ ინფორმაციის მოსაპოვებლად სამ ფოტონად დაშლის ალბათობა უნდა აკმაყოფილებდეს ყალიბური ინვარიანტობის ფუნდამენტურ მოთხოვნას, რაც ძირითად თეორიულ პრობლემას წარმოადგენდა ლიტერატურაში. ამ ნაშრომში ზუსტად ეს პრობლემა გადაწყდა ჩვენს მიერ შემუშავებული „განტოლებების გაყალიბების“ მეთოდის გამოყენების საშუალებით.
7. გრავიტაციის გარეშე შეიძლება იმის მტკიცება, რომ ტუნელურ ინსტანტონებს გააჩნიათ ზუსტად ერთი უარყოფითი მოდა მათი წრფივი ფლუკტუაციების სპექტრში. ზუსტად ამ ტუნელური უარყოფითი მოდის არსებობა გავაძლევს ამ ამოხსნების როგორც მეტასტაბილური ვაკუუმი დაშლის მედიატორების ინტერპრეტაციის საშუალებას. გრავიტაციის გათვალისწინებით სიტუაცია ბევრად უფრო რთულია: კერძოდ, ფლუკტუაციების კინეტიკურ წევრს შეუძლია შეიცვალოს ნიშანი ინსტანტონური ტრაექტორიის გასწვრივ. ჩვენს მიერ ნაჩვენებია, რომ ამ შემთხვევაში მოდების ფუნქციები რჩება არასინგულარული და ტუნელური უარყოფითი მოდა აგრძელებს არსებობას. უფრო მეტიც, საკუთარი მნიშვნელობები იცვლება უწყვეტად, როდესაც პოტენციალი იცვლება ისე რო ფლუკტუაციების კინეტიკური წევრი იცვლის ნიშანს. თუმცა, ნეგატიური კინეტიკური წევრი გულისხმობს უარყოფითი მოდების უსასრულო კოშკის არსებობის, რომლის მნიშვნელობა და ინტერპრეტაცია ჯერ კიდევ გაურკვეველია.

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	გ. ჯორჯაძე	Quantization of a superparticle in AdS spaces	ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის კონფერენცია, 18.12.2015, თბილისი
2	G. Jorjadze, L. Megrelidze	Oscillator quantization of AdS_3 superparticle	*Selected Topics in Theoretical High Energy Physics*, 21.09 - 27.09, 2015, Tbilisi.
3	ა.კვინიხიძე	Towards Gauge invariant effective field theory.	International Conference “Challenges in Contemporary Particle Physics and Quantum Field Theory” 30/10-1/11(2015) თბილისი. ვებგვერდი: http://cepp.tsu.ge/
4	ა.კვინიხიძე	ველის კვანტურ თეორიაში ტალღური ფუნქციის ალბათური ინტერპრეტაციის დასაბუთება.	საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის VI საერთაშორისო კონფერენცია (12-16/07/2015) თბილისი.
5	ზ.მაღრაძე	ტაუ-ლეპტონის ადრონული დაშლების ანალიზი კვანტურ ქრომოდინამიკაში სტანდარტულ და დისპერსიულ მიდგომებში	14-18 დეკემბერი 2015 ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი
მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე			

1. განხილული იქნა სუპერნაწილაკის დაკვანტვის საკითხები ანტი–დესიტერულ სივრცეზედა მიმოხილული იქნა მისი შესაძლო გამოყენება სიმის ენერგეტიკული სპექტრის გამოსათვლელად.
2.AdS_2 სუპერ-ნაწილაკის დაკვანტვა განზოგადოებული იქნა დშ3 სივრცისთვის (პოსტერული მოხსენება).
3. ე.წ. ორ დროზე დამოკიდებული გრინის ფუნქციების გამოყენებით აგებულია დაბალი ენერგიების ნუკლონების ამღწერი ველის ეფექტური თეორია სადაც ელექტრომაგნიტური ურთიერთქმედება შემოყვანილია ყალიბური ინვარიანტობის პრინციპთან შესაბამისობაში.
4. წარმოდგენილია ველის ეფექტური თეორიის ვერსია რომელშიც რომლის გამოყენებით ნაჩვენებია რომ არარელატივისტურ ზღვარში ორნაწილაკოვანი სისტემის მუხტის განაწილების სიმკვრივე უდრის შემადგენელი ნაწილაკების მუხტის განაწილებების სიმკვრივეებბის ჯამს. ამ შედეგის მიღებაში გადამწყვეტია. წარმოოდგენილი ველის თეორიის ყალიბური ინვარიანტობის თვისება. ეს შედეგი მიუთითებს იმაზე, რომ არსებობს უნიტარული გარდაქმნა, რომლის საშუალებით შესაძლებელია ტრადიციულ მიდგომაში არსებული ალბათური ინტერპრეტაციის დამრღვევი წევრის (ე.წ. ურთიერთქმედების მუხტის განაწილების სიმკვრივის) მოცილება.
5. განსაზღვრულია კვანტური ქრომოდინამიკის ძლიერი ბმის მუდმივა , AALEPH კოლაბორაციის მონაცემებიდან ვექტორულ (არა-უცნაურ) სპექტრალურ ფუნქციისთვის. კვარკ-ადრონული დუალობა მოთხოვნილია შეზღუდულ არეში s1<s< ძლიერი ბმის მუდმივა და დუალობის წერტილი s1 განისაზღვრა ერთდროულად ჯამთა წესების საშუალებით რომლებიც მიიღება კვარკ-ადრონული დუალობის გამოყენებით სპექტრალური მომენტებისთვის. მონაცემების ანალიზში სხვადასხვა სპექტრალური მომენტების გამოყენებისას განსაზღვრული პარამეტრების მნიშვნელობები კარგად თავსებადია. გამოყენებული იქნა კონტურზე გაუმჯობესებული შეშფოთების თეორიის მოდიფიცირებული ვარიანტი რომელშიც აცილებულია მორბენალი ბმის მუდმივის ლანდაუს გოსტის პოლუსთან დაკავშირებული ნორმალური (ჩელენ-ლემანის) ანალიზურობის დარღვევის პრობლემა. პარამეტრების რიცხვითი მნიშვნელობებისთვის მიღებული იქნა ( )=0.322 0.011 მოდიფიცირებულ კონტურზე გაუმჯობესებული შეშფოთების თეორიაში და ( )=0.298 0.012 ფიქსირებული რიგის შეშფოთების თეორიაში.

ბ) უცხოეთში

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ვ. გოგოხია, გ.გ. ბარნაფოლდი	General Exact Solutions for the full Gluon in QCD with the Mass Gap	Gribov Memorial Workshop: Theoretical Physics of XXI Century, June 17-20, 2015, Chernogolovka, Russia
2	ვ. გოგოხია, ა. შურღაია, მ.ვასიუთი	The Temperature-Dependent Yang-Mills Trace Anomaly as a Function of the Mass Gap	Gribov Memorial Workshop: Theoretical Physics of XXI Century, June 17-20, 2015, Chernogolovka, Russia
3	M. Heinze, G. Jorjadze	Orbit method quantization of the AdS_2 superparticle	Integrability in Gauge and String Theory; 13.07 - 17.07, 2015, London.
4	G. Jorjadze	Quantization of particle and string dynamics	Particles, Fields and Strings, 29.09-02.10 2015, Baku.
5	გ.ლავრელაშვილი	სკალარული ველის კონფორმული ბმის გავლენა მეტასტაბილური ვაკუმის დაშლაზე	The 14th Marcel Grossmann Meeting on Recent Developments in Theoretical and Experimental General Relativity, Gravitation, and Relativistic Field

			Theory", July 12 - 18, 2015, University of Rome Sapienza, Italy
6	გ.ლავრელაშვილი	Challenges in quantum tunneling with gravity	PASCOS 2015, ICTP, Trieste, Italy, July 2, 2015

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1. მასური ღრიჭოს საშუალებით გამოთვლილია გლუონის სრული პროპაგატორი

2. კვალის ანომალია (ურთიერთქმედების ზომა) გამოთვლილია როგორც მასური ღრიჭოს ფუნქცია.

3. ორბიტული მეთოდის გამოყენებით განხორციელდა AdS_2 სუპერ-ნაწილაკის დაკვანტვა, დაფუძნებული OSP(1|2)/SO(1,1) მოდელზე (პოსტერული მოხსენება).

4. მიმოხილული იქნა ნაწილაკის და სიმის თეორიის დაკვანტვის საკითხები AdS სივრცეებისთვის (ლექციის ტიპის მოხსენება).

5. შესწავლილილია კვანტური ტუნელირების პროცესები სკალარულ-ტენზორულ თეორიებში

არამინიმალური ბმით გრავიტაციასთან. ნაჩვენებია რომ ამგვარ თეორიებში ინსტანტონებს შეიძლება გააჩნდეთ „ყელი“ რაც მატერიალიზაციის მერე გვაძლევს ვორმჰოლების გეომეტრიის წარმოქმნის შესაძლებლობას.

6. მიმოხილული იქნა უარყოფითი მოდის პრობლემა მეტასტაბილური ვაკუუმის დაშლის პროცესებში გრავიტაციის გათვალისწინებით და სკალარული ველის კონფორმული ბმის გავლენა მეტასტაბილური ვაკუმის დაშლაზე.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	ინტეგრებადი სისტემების დაკვანტვა: სიმის თეორია AdS სივრცეში, ლიუვილის თეორია. კვლევა წარმოებდა გერმანიაში (იხ. მივლინებები)	გ. ჯორჯაძე	გ. ჯორჯაძე	გერმანული გრანტი DFG
2	ინტეგრებადი მოდელები სიმის და ველის თეორიაში (იხ. მივლინებები)	გ. ჯორჯაძე	გ. ჯორჯაძე	გერმანული გრანტი VolkswagenStiftung

დამატებითი ინფორმაცია:

1. მივლინებები

ვ. გოგოხიამ მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციაში “Gribov Memorial Workshop: Theoretical Physics of XXI Century”, June 17-20, 2015, Chernogolovka, Russia

გ.ლავრელაშვილი ეწვია
-მაკს პლანკის ინსტიტუტს გრავიტაციულ ფიზიკაში, პოტსდამი, გერმანია

(ოთხი ვისიტი: 01.01-28.02, 27.03-20.05, 05.08-16.09, 10.11-31.12, 2015)
-LAPTh, ანნესი, საფრანგეთი, 29.05-14.06, 2015
-ICTP, ტრიესტი, იტალია, 25.06-25.07.2015
და აგრეთვე მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში
-June 29 - July 3, 2015, PASCOS 2015, The 21st International Symposium on Particle, Strings and Cosmology, ICTP, Trieste, Italy
- July 12 - 18, 2015, "MG 14, The Fourteenth Marcel Grossmann Meeting on Recent Developments in Theoretical and Experimental General Relativity, Gravitation, and Relativistic Field Theory", University of Rome Sapienza, Italy

გ. ჯორჯაძე
- ბერლინის ჰუმბოლტის უნივერსიტეტი (06.01–04.03, 01.07–12.07, 18.07–24.07, 20.11–01.12);
აქედან პირველი მივლინება მთლიანად დაფინანსდა გერმანული გრანტით დანარჩენი კი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა.
– ლონდონის სამეფო კოლეჯი (12.07–18.07) დაფინანსდა რუსთაველის ფონდის გრანტით.
- ერევნის უნივერსიტეტი (24.06–26.06) დაფინანსდა გერმანული გრანტით.

2. საგრანტო პროექტებში მონაწილეობა

გ.ციციშვილი, მ. ელიაშვილი
შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი FR/265/6-100/14.

გ.ლავრელაშვილი
შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი FR/143/6-350/14.
შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი FR/339/6-350/14.

ა. კვინიხიძე
შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი „კირალური ეფექტური ველის თეორია სამი ნუკლონისთვის ზუსტად გადანორმვად მიდგომაში“, FR/417/6-100/14

გ. ჯორჯაძე
შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი FR/519/6-100/13, 2014- 2017

3. კონფერენციების ორგანიზება

1. გ. ლავრელაშვილი, გ. ჯორჯაძე.
თბილისში ჩატარდა ფართო მასშტაბის სკოლა–კონფერენცია:
Selected Topics in Theoretical High Energy Physics, 21.09 - 27.09, 2015.
კონფერენციის ვებგვერდი: http://freeuni.edu.ge/physics/physics_1/
იყო 100–მდე მონაწილე, მათ შორის 65 უცხოელი. სკოლა–კონფერენციას ესწრებოდა 40–მდე ახალგაზრდა, მათ შორის 25 მაგისტრანტი და დოქტორანტი უცხოეთიდან. სკოლის ლექტორებსა და კონფერენციის სპიკერებს შორის იყვნენ დარგის აღიარებული ექსპერტები.

2. მ. ელიაშვილი, გ. ლავრელაშვილი, ა. ხვედელიძე
თბილისში ჩატარდა საერთაშოროსისო კონფერენცია:
“Challenges in Contemporary Elementary Particle Physics and Quantum Field Theory”, International Conference devoted to the memory of Academician A.Tavkhelidze, October 30 – November 1, 2015, Tbilisi, Georgia
რომელშიც მიიღო მონაწილეობა 50 მდე მეცნიერმა მსოფლიოს სხვადასხვა წამყვანი სამეცნიერო ცენტრიდან. დეტალები და მოხსენებების სლაიდები გამოქვეყნებულია
კონფერენციის ვებგვერდზე: http://cepp.tsu.ge/

4. სხვადასხვა

1.გ. ჯორჯაძემ წაიკითხა სამთვიანი (01.04 – 30.06, 2015) ლექციების კურსი *(Integrable Models in Field/String Theory)*, რომელიც კვირაში ორჯერ ვიდეო არხით გადაიცემოდა ერევანში. ლექციებს თბილისში ისმენდნენ პროფ. ანზორ ხელაშვილი და სტუდენტები: ლუკა მეგრელიძე, ოთარ სახელაშვილი, ლევან იაშვილი; ხოლო ერევნში პროფ. გორ სარკისიანი და დოქტორანტი ჰასმიკ პოღოსიანი.
ლექციები იმართებოდა თეორიული ფიზიკის რეგიონალური საგანმანათლებლო ქსელის ფარგლებში http://training.hepi.edu.ge/rtn/activities/conferences.shtml

2.გ. ჯორჯაძე: სამეცნიერო მუშაობა თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტებთან.

დანართი 1

გამოქვეყნებული და გამოსაქვეყნებლად გადაცემული ნაშრომები

2015 წელს გამოქვეყნებული შრომები

(*-ით აღნიშნულია იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში გამოყვეყნებული ნაშრომები)

სახელმძღვანელო

1. **ო. ძაგნიძე.** ფურიეს ანალიზი, თსუ-ს გამომცემლობა, 274 გვ.

სტატიები

1. **M. Ashordia**, Antiperiodic boundary value problem for systems of linear generalized differential equations.*Mem. Differential Equations Math. Phys.* **66** (2015), 141-152.
2. **M. Ashordia** and G. Ekhvaia,On the solvability of multipoint boundary value problems for systems of nonlinear difference equations. *Mem. Differential Equations Math. Phys.***65** (2015), 151-158.
3. **M. Ashordia** and G. Ekhvaia, On the solvability of multipoint boundary value problems for systems of nonlinear differential equations with fixed points of impulses actions. *Mem. Differential Equations Math. Phys.***64** (2015), 143-154.
4. **M. Ashordia**, G. Ekhvaia, and N. Topuridze, On the Conti-Opial type existence and uniqueness theorems for general nonlinear boundary value problems for systems of discrete equations. *Mem. Differential Equations Math. Phys.***64** (2015), 155-162.
5. *__M. Bakuradze__, Morava K(s)-rings of the extensions of Cp by the products of good groups under diagonal action. *Georgian Math. J.* **22** (2015), No. 4, 451-455.
6. *__G. Berikelashvili__ and B. Midodashvili, Compatible convergence estimates in the method of refinement by higher-order differences. (Russian) *Differ. Uravn.***51** (2015), No. 1, 107-115.
7. *__G. Berikelashvili__ and B. Midodashvili, On increasing the convergence rate of difference solution to the third boundary value problem of elasticity theory. *Bound. Value Probl.* **2015,** 2015:226.
8. **G. Berikelashvili** and B. Midodashvili, On the improvement of convergence rate of difference scheme for one mixed boundary-value problem. *Mem. Differential Equations Math. Phys.* **65** (2015), 23-34.
9. **G. Berikelashvili**, M. M. Gupta and B. Midodashvili, On the improvement of convergence rate of difference schemes with high order differences for a convection-diffusion equation. AIP Conference Proceedings **1648** (2015), 470002-1 – 470002-4.
10. * G. Bezhanishvili, **N. Bezhanishvili**, J. Harding, ModalcompactHausdorffspaces. Journal of Logic and Computation, 25(1), pp. 1-35, 2015.
11. * G. Bezhanishvili, **N. Bezhanishvili**, J. Harding, Modal operators on compact regular frames and de Vries algebras. Applied Categorical Structures, 23(3), pp. 365-379, 2015.
12. * **N. Bezhanishvili,D. Gabelaia**, S. Ghilardi, M. Jibladze, Admissible Bases Via Stable Canonical Rules. Studia Logica, pp 1-25First online: 09 January 2016.

13. * G. Bezhanishvili, **D. Gabelaia**, M. Jibladze, P. J. Morandi, Profinite topological spaces. Theory and Applications of Categories,Vol. 30, 2015, No. 53, pp 1841-1863.
14. * G. Bezhanishvili, **N. Bezhanishvili**, J. Lucero-Bryan, Jan van Mill, S4.3 and hereditarily extremally disconnected spaces. Georgian Mathematical Journal, Volume 22, Issue 4 (Dec 2015), Pages 469–475.
15. * G. Bezhanishvili**, D. Gabelaia**, J. Lucero-Bryan, Topological completeness of logics above s4.The Journal of Symbolic Logic, Volume 80, Issue 02, June 2015, pp 520-566.
16. * G. Bezhanishvili, **D. Gabelaia**, J. Lucero-Bryan, Modal logics of metric spaces. The Review of Symbolic Logic, Volume 8, Issue 01, March 2015, pp 178-191.
17. * **N. Bezhanishvili**, S. Sourabh, Sahlqvist preservation for topological fixed-point logic. J Logic &Computation*doi:10.1093/logcom/exv010First published online:April 12, 2015.*
18. *B. Blankleider, **A. N. Kvinikhidze** and Z.K.Silagadze, Gauge invariant formulation of 3γ decay of particle-antiparticle bound states. *Phys. Rev. D* **92** (2015) 4, 045032.
19. Y. Boyaci, J. M. Casas, **T. Datuashvili** and E.O. Uslu, Actions in modified categories of interest with application to crossed modules. *Theory and Appli*cation of *Categories* **30** (2015), No. 25, 882-908.
2. კავკასიის მაგალითზე შესწავლილია სეისმურობის ფაზური სივრცის პორტრეტები და ნაჩვენებია, რომ გარკვეული მეთოდების გამოყენებით შესაძლოა გამოვლინდეს სეისმური ატრაქტორის მაგვარი სტრუქტურები სეისმურ ნაკადში.
3. გაანალიზებულია უძლიერესი ტოხოკუს (მაგნიტუდა 9.1) მიწისძვრის გამოძახილი კავკასიის ტერიტორიაზე. ნაჩვენებია, რომ მკვეთრი ჰიდროსეისმური ეფექტები (ოსცილაციები) აღინიშნება ღრმა ჭაბურღილების ქსელში მთელ საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის მრავლობით რელეის ტალღებზე. ამავე დროს ლოკალური ე.წ. ტექტონიკური ტრემორები არ შეინიშნება.
4. აღნიშნულ აბსტრაქტში წარმოდგენილია მექანიკური არასტაბილურობის (სრიალის) ელექტრომაგნიტური და მექანიკური ინიცირების და სინქრონიზაციიის ლაბორატორიული ექსპერიმენტების შედეგები. ექსპერიმენტები ტარდებოდა ზამბარა მცოცის და ბურიჯ-კნოპოვის ლაბორატორიულ მოდელებზე. პროცესების შესწავლა ხდებოდა სტიკ-სლიპის დროს აღძრული აკუსტიკური ემისიის ჩაწერის საშუალებით. ექსპერიმენტების შედეგები გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ მცირე გარეშე ზემოქმედება ბუნებრივი სტიკ-სლიპის იმპულსების დროში განაწილებას, რაც იძლევა სეისმური და მასების მოძრაობის კონტროლის იმედს მცირე გარეშე ზემოქმედების პირობებში.

სეისმოლოგიის, სეისმური საშიშროებისა და კატასტროფების რისკის სექტორი.

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: მთ. მეცნ. თანამშრომელი, აკად. დოქ. ნინო წერეთელი.

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა: მთ. მეცნ. თანამშრომლები: აკად.დოქ. ოთარ ვარაზანაშვილი, დოქ. ზურაბ კერესელიძე, დოქ. შოთა ადამია,აკად. დოქ. ვახტანგ არაბიძე; უფრ. მეცნ. თანამშრომლები: აკად. დოქ. ვიქტორ ალანია, აკად. დოქ. თენგიზ გეგეჭკორი, აკად.დოქ. სერგო გოგმაჩაძე, აკად.დოქ. მარინე ჩხიტუნიძე; მეცნ. თანამშრომლები: აკად.დოქ. ნინო სანდრაძე; დოქტორანტი ალექსანდრე გვენცაძე, დოქტორანტი ირინა ხვედელიძე; დოქტორანტი ნინო ყვავაძე; სპეციალისტები: გურამ ჩაგანავა, მანანა კუპრაძე.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1.	მიწისძვრის გენერაციის ფიზიკური მექანიზმების გამოკვლევა. სეისმური წყაროების მოდელების დადგენა (გარდამავალი 2014-2024 წწ.)		
1.1	მიწისძვრის როგორც მოცულობითი წყაროების ხაზოვანი პარამეტრების დადგენა	ზ. კერესელიძე	ნ. წერეთელი მ. ჩხიტუნიძე ი. ხვედელიძე
1.2	ქ. თბილისის რაიონის სეისმური წყაროების ახალი მოდელების დადგენა	ო. ვარაზანაშვილი	ნ. წერეთელი ვ. ალანია

1.1 ჩვენს მიერ აგებული მიწისძვრის კერის საკუთარი მექანიკური რხევების მოდელის საშუალებით მოხდა სამხრეთ კავკასიის რეგიონში 2009-2013 წლებში მოხდარი საშუალო სიმძლავრის 30-ზე მეტი მიწისძვრის (M_S=4.0□5.5) რეტროსპექტიული ანალიზი. ამისათვისGგამოყენებული იქნა ლოკალური ქსელის ჩანაწერების სპექტრალური ანალიზის მონაცემები, რომელთა საფუძველზე განისაზღვრა ამ მიწისძვრების კერის რადიუსი და მაგნიტუდა. შედარებამ აჩვენა, რომ თითქმს ყველა შემთხვევაში ცდომილება რეტროსპექტუულ მონაცემებსა და ჩვენს მიერ მიღებული მაგნიტუდების სიდიდეთა შორის მოთავსდა ინტერვალში $\Delta = \pm 0.2$.

1.2 განვლილი წლის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობდა ქ. თბილისის ტერიტორიაზე და მის გარემომცველ რაიონში რღვევითი ტექტონიკის გამოვლინებების შესწავლა და

მიწისძვრებთან მათი კავშირის დადგენა. ამ სეისმოტექტონიკური ამოცანის დამუშავებისას მიღებულმა შედეგებმა საშუალება მოგვცა აგვეგო ქ. თბილისისა და მისი რაიონის სეისმური წყაროების ზონების ორი ახალი მოდელი. ეს მოდელები განსხვავდებიან, როგორც შესაბამისი ზონების კონფიგურაციით, ასევე მათი პარამეტრების მნიშვნელობებით და ქ. თბილისის რაიონის სეისმური საშიშროების პროგნოზული შეფასებებისას შეიძლება ორივეს გამოყენება ლოგიკური ხის სქემის საფუძველზე.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2.	სათანადო მონაცემთა (სეისმური, საინჟინრო-გეოლოგიური, რისკის ელემენტების ინვენტორული აღწერები და სხვ.) ბაზების შექმნა და ანალიზი (გარდამავალი 2014-2024 წწ.)	ნ. წერეთელი	
2.1	სეისმური მონაცემების შეკრება ბაზების შესაქმნელად	მ. კუპრაძე	
2.2	აქსელერომეტრების ქსელის გამართვა	ნ. ყვავაძე	ა. გვენცაძე ნ. წერეთელი ს. გოგმაჩაძე
2.3	ზედაბალი სიხშირის ელექტრომაგნიტური მონაცემების დამუშავება და სპექტრალური ანალიზი	ნ. ყვავაძე	
2.4	თბილისის საინჟინრო გეოლოგიური მონაცემების შეგროვება და გის სისტემაში ტრანსფორმირება	ვ. არაბიძე	ს. გოგმაჩაძე ა. გვენცაძე
2.5	აქსელეროგრამებისა და ველოსიგრამების დამუშავება	ნ. ყვავაძე	
2.6	საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სეისმური ქსელის ეფექტურობის ანალიზი	ო. ვარაზანაშვილი	

2.1. 2015 წელს HYPO-71 პროგრამით დამუშავდა 1973 –1976 წწ. 30 სუსტი მიწისძვრა $M_S \leq 3.5$. უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული მიწისძვრის დამუშავება ხდება 4 სხვადასხვა საწყისი სიღრმისთვის და ანალიზის შემდეგ ირჩევა საუკეთესო ვარიანტი. აქედან რვა მიწისძვრისთვის დარჩა ადრე კატალოგში არსებული მონაცემი, დანარჩენი 29 შეიცვალა ახალი მონაცემებით. შესაბამისი ცვლილებები შეტანილ იქნა ჩვენთან არსებულ ყველა კატალოგში.

ასევე შერჩეული იქნა მიწისძვრები, სადაც შეიძლებოდა პირველი შემოსვლებისთვის ნიშნის აღება რვა და მეტი სადგურის მონაცემებზე. ასეთია 17 მიწისძვრა. მექანიზმების გათვლის პროგრამით დამუშავდა და განისაზღვრა მათი მექანიზმები. მიღებული შედეგების, მაკროსეისმური და სხვადასხვა საერთაშორისო კატალოგების მონაცემებთან შეჯერებით გაკეთდა საბოლოო დასკვნები.

როგორც ეს ყოველწლიურად ხდება, ჩვენთან არსებული კატალოგი შეივსო მიმდინარე 2015 წლის მიწისძვრების მონაცემებით. გაიწმინდა აფტერშოკების, ფორშოკებისა და გუნდებისაგან საქართველოს კატალოგი 2014 წლის ჩათვლით.

2.2. 2015 წლის აპრილის თვეში თსუ-ს იონოსფეროს ობსერვატორიაში დაიდგა საცდელი სადგური. სადგური შეიცავს აქსელერომეტრ Kinemetrics BASALT 4X და RefTek 130-ს, ძლიერი და სუსტი მოძრაობის სენსორებით შესაბამისად: ES-T EpiSensor და Geotech KS-2000. მონაცემების ჩაწერა მიმდინარეობს მუდმივად. მონაცემების გადმოსაცემად გამოიყენება 2- სტანდარტიანი dual modem HSPA+/EVDO მოდემი. მონაცემები იგზავნება მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტში არსებულ სერვერზე, სადაც ხდება მათი დამუშავება. სადგური აღჭურვილია 12 VDC კვების წყაროთი, ანუ 220 VAC გათიშვის შემთხვაშიც სადგური აგრძელებს მონაცემების ჩაწერას. ვინაიდან ქსელი უნდა განთავსდეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და ყველა ადგილზე არ არის 220 V ცვლადი დენი, ამიტომ სისტემა მზადაა მზის ენერგიაზე მუშაობისთვის. მას შემდეგ, რაც გაიმართა ტაბახმელას სადგური, დაიწყო მზადება სხვა სადგურების დასადგმელად. ამ მომენტისთვის ასევე მუშაობს გუდაურის სადგურიც. დანარჩენი სადგურები (ონი, ახალციხე, ხელვაჩაური, დედოფლიწყარო) გამზადებულია ხელსაწყოების განთავსებისთვის. მიწისძვრები, რომლებიც მოხდა აპრილიდან დღემდე, საქართველოს ტერიტორიაზე ან მის საზღვრებთან ახლოს ჩაწერილია ტაბახმელაში არსებული აპარატურით, ხოლო გუდაურის სადგურის მონაცემები არსებობს მხოლოდ ნოემბრის ბოლოდან.

2.3. სეისმური აქტივობის დადგენა წარმოადგენს რთულ ამოცანას და საჭიროებს სხვადასხვა ტიპის აპარატურით დაკვირვებას. თსუ ტაბახმელას იონოსფეროს ობსერვატორიაში, მუშაობს ანტენური სისტემა ზედაბალი სიხშირის ელექტრომაგნიტურ ტელღებზე დასაკვირვებლად. სისტემა მუშაობს 15-25 კჰც სიხშირულ დიაპაზონში და დაკვირვება მიმდინარეობს 10 სახვადასხვა სიხშირის სიგნალზე. მონაცემების წინასწარი დამუშავებისთვის გამოიყენება პროგრამა SpectrumLab, onlain FFT ანალიზით. მონაცემები იგზავნება თსუ მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტში შემდგომი დამუშავებისთვის. ითვლება ყოველდღიური საშუალო თვის განმავლობაში და საშუალოდან გადახრა. ვინაიდან სისტემა არის უნიკალური, საჭირო იყო პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა, რაც განხორციელდა ობსერვატორიაში. ვინაიდან ტალღის ამპლიტუდის ცვლილება შეიძლება გამოიწვიოს მრავალმა მიზეზმა (მზის აქტივობა, გეომაგნიტური შტორმი, მეტეორები და ა.შ.), ამიტომ მიწისძვრების მონაცემების შემოწმებამდე ხდება სხვა ფაქტორების გამორიცხვა. მონაცემების დამუშავების შედეგად გამოჩნდა ორი ეფექტი: 1) მიწისძვრამდე რამდენიმე საათით ადრე დაკვირვების მთელი სპექტრის ამპლიტუდის ცვლილება შეიმჩნევა და გრძლედება მიწისძვრის შემდეგ რამდენიმე საათი; 2) მიწისძვრამდე რამდენიმე დღიდან ორ კვირამდე ადრე ერთ-ერთი სადგურის ამპლიტუდა მკვეთრად იცვლება და ნორმალურ მდგომარეობას უბრუნდება მიწისძვრის შემდეგ რამდენიმე დღეში. შედეგები არ არის საბოლოო და საჭიროებს დაკვირვებების გაგრძელებას და ახალი სადგურების დამატებას. ასევე მუდმივად მიმდინარეობს არსებული სისტემისა და პროგრამული უზრუნველყოფის განახლება.

2.4. სატესტო უბანი მდებარეობს ქ.თბილისის ე.წ საბურთალო-ვეძისის მიდამოებში, რომლის პირობით საზღვარს ჩრდილოეთის მხრიდან წარმოადგენს ლისის ქედის სამხრეთული ექსპოზიციის ფერდის ძირი. „საბურთალოს ბაზრიდან“ შ. ნუცუბიძის ქუჩის ბოლომდე. სამხრეთის მხრიდან საზღვარი გაუყვება მდ. ვერეს მარცხენა ნაპირს, გმირთა მოედნიდან საბურთალოს სასაფლაოს ბოლომდე. აღმოსავლეთის საზღვარი გმირთა მოედნიდან „საბურთალოს ბაზრამდე“, მ. კოსტავასა და ჟ. შარტავას ქუჩების გავლით. დასავლეთის საზღვარი კი მდ. ვერეს ხეობიდან სანდრო ეულის ქუჩის გავლით შ. ნუცუბიძის ქუჩამდე. ამ უბნისთვის მოხდა სეისმურობის დაზუსტებისა და ძირითადი საინჟინრო-სეისმოლოგიური პარამეტრების მნიშვნელობების განსაზღვრა. შედეგები მიღებულია სეისმური მიკროდარაიონების მეთოდების გამოყენებით. საწყის მონაცემებად აღებულია შესასწავლი ტერიტორიის გამსხვილებული საინჟინრო-გეოლოგიური და საინჟინრო-სეისმოლოგიური პარამეტრები. საკვლევ ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტებისთვის სეისმური გრძივი და განივი ტალღების გავრცელების სიჩქარეების განსაზღვრა წარმოებდა სეისმური მიკროდარაიონების (მიკროზონირების) მეთოდებით. მოხდა საკვლევი რაიონისთვის სეისმური მიკროდარაიონების მეთოდებით მიწისძვრის ინტენსივობის (ბალებში და პიკურ აჩქარებებში) მოსალოდნელი ცვლილებების განსაზღვრა და ჯამური რუკის შედგენა.

2.5. მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს მონაცემთა ანალიზი. როგორც აქსელერომეტრი, ასევე ველოსიმეტრი იყენებს მონაცემების ჩაწერის სპეციფიურ სტანდარტებს. ამიტომ აუცილებელია სპეციალურად შექმნილი პროგრამების გამოყენება. აქსელერომეტრის მონაცემების დასამუშავებლად გამოიყენება პროგრამული პაკეტი SMA (Strong Motion Analys), რომელიც საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ ძლიერი მოძრაობის აქსელეროგრამა, ხოლო ველოსიმეტრის ჩანაწერებისთვის გამოიყენება RT_View.exe. ვინაიდან ჩანაწერების დამუშავების ეტაპები მსგავსია, განვიხილავთ მხოლოდ აქსელერომეტრის მონაცემებს.

მრავალი გარემოების გამო ჩანაწერი დამახინჯებულია. რის გამოც საჭიროებს წინასწარ დამუშავებას, რაც მოიცავს: ხმაურის მოხსნას, საბაზისო ღერძის გასწორებას და გაფილტვრას. ხმაურის მოხსნისთვის ყველაზე ხშირად გამოიყენება მეთოდი მოვლენამდე არსებული მონაცემის გამოყენებით. ანუ, ხდება მოვლენამდე არსებული მონაცემის გასაშუალეოება და მიწისძვრის მონაცემზე გამოკლება.

გარე მოვლენების ზემოქმედებით შესაძლებელია ჩანაწერში საბაზისო ღერძი არ დაემთხვეს რეალურს, რისი გასწორებაც შესაძლებელია მოყვანილი პროგრამის საშუალებით. გაფილტვრა ხდება ასევე ხმაურის არსებობის გამო. გამოიყენება ზოლოვანი ფილტრი, რომელიც ატარებს სიხშირული დიაპაზონის გარკვეულ მონაკვეთს. პროგრამა სამივე ნაბიჯს აკეთებს ავტომატურად. შესაძლებელია სიგნალის ფურიე სპექტრის დათვლა. შედეწგად მიიღება მეტა მონაცემები, რომლებიც აქსელერომეტრის შემთხვევაში გამოიყენება მიწისზვრის ინჟინერიისა და საშიშროების ამოცანებში, ხოლო ველოსიმეტრის შემთხოვაში სეისმოლოგიის ამოცანებში.

2.6 საქართველო ქვეყანაა, რომელიც საზოგადოებრივ აზროვნებაში არ არის დაკავშირებული კატასტროფულ სეისმურ მოვლენებთან. მიუხედავად ამისა, აქ არსებობს საკმარისად მაღალი ზომიერი სეისმურობა, რომელიც პოტენციურ საფრთხეს უქმნის მოსახლეობას და მნიშვნელოვან ობიექტებს. აქედან გამომდინარე, ბოლო ათწლეულის განმავლობაში ადგილი აქვს ქართველი სეისმოლოგების დიდ ძალისხმევას, რათა გაუმჯობესდეს მიწისძვრების ინსტრუმენტული მონიტორინგი და მათი პარამეტრიზაცია, აგრეთვე ისტორიული სეისმურობის კვლევა. ამ სამუშაოების შედეგები შეჯამებულია საქართველოს მიწისძვრების ახალ პარამეტრულ კატალოგში, რომელიც ეფუძნება სხვადასხვა თანამედროვე გამოკვლევებს და მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სეისმური ქსელის ეფექტურობის დადგენას.

საქართველოს ტერიტორიაზე მომხდარი დამოუკიდებელი მიწისძვრების, მაგნიტუდით $M_S \geq 2.9$ ($M_W \geq 4.0$), წლიური რაოდენობის გამოკვლევამ წინა საუკუნის დასაწყისიდან (1900 წ.-დან) ჩვენი საუკუნის 2015 წ.-მდე აშკარად დაგვანახა, რომ გამოიყოფა ხუთი დროითი პერიოდი:

1) 1900-1935 წწ.; 2) 1936-1955 წწ.; 3) 1956-1995 წწ.; 4) 1996-2004 წწ.; 5) 2005-2014 წწ. პირველი სამი პერიოდის განმავლობაში სეისმური სადგურების რაოდენობა გაიზარდა 6-დან 40-მდე და მესამე პერიოდის დასასრულში $M_s \geq 2.9$ მაგნიტუდის მიწისძვრები წარმომადგენელი მიწისძვრები გახდა საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე. გაიზარდა ეპიცენტრის განსაზღვრის საშუალო სიზუსტეც. მეოთხე პერიოდში, საქართველოში მომხდარი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების გამო, მომუშავე სეისმური სადგურების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა 10-მდე, ხოლო მეხუთე პერიოდში სადგურების რაოდენობა, ოფიციალური მონაცემებით, გაიზარდა 25-მდე. თუმცა აქ ადგილი აქვს შეუსაბამობას, სეისმური სადგურების მგრძნობიარობა და რაოდენობა იზრდება (წინა პერიოდთან შედარებით), მაშინ როდესაც დაფიქსირებული $M_s \geq 2.9$ მაგნიტუდის მიწისძვრების რაოდენობა არ იზრდება. ასეთი სიტუაცია შესაძლებელია სამ შემთხვევაში: 1) სეისმური აქტივობა რეალურად შემცირდა; 2) ოფიციალურად დეკლარირებული 25 სადგურიდან რეალურად მუშაობს ბევრად ნაკლები და 3) მხოლოდ M_L მაგნიტუდური კლასიფიკაცია, განხორციელებული ამ ქსელის მონაცემების დამუშავებისას, ვერ უზრუნველყოფს M_L მაგნიტუდის ისეთ ნომინალურ მნიშვნელობებს, რომ $M_s(M_L)$ რეგიონული გადამყვანი ფორმულით მიღებული M_s მნიშვნელობებით კლასიფიცირებული მიწისძვრების რაოდენობა იყოს რეალური.

თუ გავითვალისწინებთ ამ პერიოდში მომხდარ მნიშვნელოვან მიწისძვრებს: 2005 წ.-ის ჯვარის; 2008 წ.-ის დმანისის; 2006 წ.-ის და 2009 წ.-ის ონის; 2011 წ.-ის საირმის და 2012 წ.-ის შავი ზღვის, მაშინ პირველი შემთხვევა გამორიცხულია. როგორც ჩანს ადგილი აქვს მეორე ან მესამე შემთხვევას ან ორივეს ერთად, რაც მიუთითებს დღეისათვის არსებული სეისმური ქსელის არადამაკმაყოფილებელ მუშაობაზე და მიღებული მონაცემების ცუდ ინტერპრეტაციაზე.

იგივე კანონზომიერებები, რაც $M_s \geq 2.9$ მიწისძვრების შემთხვევაში გამოვლინდა, პრინციპში ვლინდება $M_s \geq 4.0$ მაგნიტუდის მიწისძვრებისთვისაც. რაც შეეხება $M_s \geq 4.5$ მაგნიტუდის მოვლენებს, ისინი წარმომადგენელი მიწისძვრებია თითქმის მთელი დაკვირვების ინსტრუმენტული პერიოდის განმავლობაში (1900-2014 წწ.), მცირე გამონაკლისის გარდა (1996-2005 წწ.).

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
3.	გრუნტის მოძრაობის პროგნოზული განტოლებების აგება (მაკროსეისმური იტენსივობისა და აჩქარებისთვის ან სიჩქარისთვის) (გარდამავალი 2014-2024 წწ.)		
3.1	გრუნტის მოძრაობის მოდელირების ჰიბრიდულ-ემპირიული თანაფარდობების კვლევა	ნ. წერეთელი	ი. ხვედელიძე
3.1 დამთავრდა საქართველოს ტერიტორიისთვის ჰიბრიდულ-ემპირიული თანაფარდობის კვლევა. მიღბული იქნა რეგიონული მოდელების ნორმირების საკალიბრო კოეფიციენტები საქართველოს ტერიტორიისთვის.			

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

4.	გრუნტის თვისებების შესწავლა (სეისმოძიების მეთოდებით, სეისმური ხმაურის გამოკვლევით) (გარდამავალი 2014-2024 წწ.)		
4.1	სეისმოპროფილირების შედეგების ანალიზი	ა. გვენცაძე	ნ. ყვავაძე ვ. არაბიძე გ. ჩაგანავა
4.2	დომინანტური სიხშირის შესწავლა	გ. ჩაგანავა	

4.1 . განვლილი წლის განმავლობაში, ქალაქ თბილისში, ჩვენს მიერ შესრულდა შემდეგი ტიპის სამუშაოები: სეისმური ჭრილები დადგინდა თბილისი რუსთავის გზადკეცილის მშენებლობასთან დაკავშირებით ასევე იგივე ტიპის სამუშაოები ჩატარდა ფონიჭალაში, კერძოდ ფარმაცევტული ქარხნის ტერიტორიაზე. ჩატარებულმა სეისმურმა და გეოფიზიკურმა კვლევემბა გვიჩვენა, რომ ორივე შემთხვევაში საკვლევ ტერიტორიაზე გამოიყო სამი ძირითადი საინჟინრო-სეისმოლოგიური ელემენტი გარკვეული გეოდინამიკური მახასიათებლებით.

4.2 დომინანტური სიხშირეების შესასწავლად ჩვენ ვიყენებთ ხელსაწყო Tromino-ს. ტრომინო წარმოადგენს მსუბუქ და კომპაქტურ მოწყობილობას, რომელიც გამოიყენება სეისმური ხმაურის რეგისტრაციისათვის. ის არის იტალიური კომპანია Micromed-ის ნაწარმი.

ტრომინოს გამოყენებით შეიძლება ჩაიწეროს გრუნტის ან რაიმე შენობის რხევები, მივიღოთ შესაბამისი სპექტრები, H/V გრაფიკი და Vs პროფილი. რამდენიმე ტრომინოს სინქრონიზაცია საშუალება იძლევა მოვახდინოთ მონაცემების ერთდროული ჩაწერა სხვადასხვა წერტილად შედარებით დიდ ფართობზე.

ჩვენ მიერ შესწვალილ იქნა ხსენებული ხელსაწყოს მახასიათებელი პარამეტრები, ექსპლუატაციის პირობები, ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების ტექნოლოგია და იგი მოყვანილ იქნა სამუშაო რეჟიმში. შედეგად მოვახდინეთ რხევების საცდელი ჩაწერა სხადასხვა ზედაპირიდან. მიღებული ინფორმაციის დამუშავების შემდეგ მივიღეთ რხევების დომინანტური სიხშირეები.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
5.	საქართველოს ტერიტორიის სეისმური ისტორიის გამოკვლევა, მიწისძვრების ეფექტების დადგენა და ინჟინრული ანალიზი (გარდამავალი 2014-2024 წწ.)		
5.1	ქ. თბილისის სეისმური ისტორიის კვლევა	ო. ვარაზანაშვილი	ნ. წერეთელი ვ. არაბიძე

5.1 საანგარიშო წლის განმავლობაში გაგრძელდა ქ. თბილისის სეისმური ისტორიის კვლევა. ადრე დადგენილი იყო ქ. თბილისში დანაკვირვები ≥7 ბალი ინტენსივობის (MS სკალა) ეფექტების მქონე მიწისძვრების ქრონოლოგია და ასეთი შერყევების განმეორებადობის კანონზომიერება. ამჯერად დაზუსტებულ იქნა ქ. თბილისში უფრო დაბალი ინტენსივობის (6, 5, 4 ბალი) შერყევების წარმომშობი ადგილობრივი და რეგიონული მიწისძვრების ქრონოლოგია, მათი ეფექტების აღწერები და ასეთი შერყევების განმეორებადობა. ეს საშუალებას იძლევა აიგოს ქ. თბილისში

დანაკვირვები სეისმური საშიშროების საიმედო გრაფიკი, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ერთადერთ მაკონტროლებელ ფაქტორს ქ. თბილისის საშიშროების ნებისმიერი პროგნოზული გათვლებისთვის.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
6.	საქართველოს ნეოტექტონიკისა და სეისმოტექტონიკის კვლევა (გარდამავალი 2014-2024 წწ.)		
6.1	ქ. თბილისის და მისი მიმდებარე ტერიტორიების აქტიური სტრუქტურების გეომეტრია და კინემატიკა	ვ. ალანია	ნ. წერეთელი ა. გვენცაძე
6.2	საქართველოს სეისმოტექტონიკის კვლევა	შ. ადამია	ვ. ალანია ნ. სანდრაძე

6.1 სეისმური პროფილების ინტერპრეტაციის საფუძველზე დადგინდა დეფორმაციის სტრუქტურული სტილი და გამოიყო ფარული შეცოცებები (ან ფარული ქერცლოვანი მარაო), სტრუქტურული სოლები და დუპლექსები. ინტეგრირებული, ზედაპირული გეოლოგიის, სეისმური პროფილების, სერიული სტრუქტურული ჭრილების და ბურღილების მონაცემების გამოყენებით აგებულ იქნა ქ. თბილისისა და მისი მიმდებარე რაიონის 3-განზომილებიანი სტრუქტურული მოდელი. გამოითქვა მოსაზრება, რომ თბილისის 2002 წლის 25 აპრილის მიწისძვრა (M_S=4.6) შეიძლება დაკავშირებულია არა დიაგონალური მიმართულების მარჯვენა ნაწევთან, არამედ ჩრდილო ვერგენტულ ფარულ შეცოცებასთან. აქტიური ფარული შეცოცების რამპის სიგრძის, ასევე ფართობის და მის ფარგლებში მომხდარი მიწისძვრების მაგნიტუდის ემპირიული ურთიერთდამოკიდებულებით ნაჩვენები იქნა, რომ აღნიშნულ ფარულ შეცოცებას შეუძლია M_S=6.5 მაგნიტუდის მისწისძვრის გენერირება.

6.2 საქართველოს სეისმოაქტიური სტრუქტურების კორელირება მეზობელი ქვეყნების (ჩრდილო კავკასია, თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი ირანი და სხვა) სტრუქტურებთან, კონტინენტური კოლიზიის კონვერგენციის ზონებში მიწისძვრის გამომწვევი გეოდინამიკური პირობების დადგენა. მიმდინარეობს მზარდი და აქტიური ფარული შეცოცებების სტრუქტურების შესწავლა. ამისათვის შერჩეულია ტერიტორიები, სადაც მნიშვნელოვანი მოცულობის სეისმური, საექსპლუატაციო და სტრუქტურული ბურღვის სამუშაოებია ჩატარებული (რიონის ფორლანდის ნაოჭა-შეცოცებითი სარტყელი, აღმოსავლეთ აჭარა-თრიალეთის ნაოჭა-შეცოცებითი სარტყელი და მტკვრის ფორლანდის ნაოჭა-შეცოცებითი სარტყელი). კერძოდ, ისეთი სტრუქტურების შესწავლა და მოდელირება, როგორებიცაა: რღვევებთან დაკავშირებული ნაოჭები (რღვევა-გაღუნული და რღვევა-გავრცელებადი ნაოჭები), მზარდი ნალექები, სტრუქტურული სოლები, აჭარა-თრიალეთის ფრონტულ ნაწილში განვითარებული სამკუთხედი ზონა, რიონის და მტკვრის ფორლანდის ფარგლებში გამოყოფილი ფიგიბექ აუზები. ასევე ხდება სეისმური პროფილების ინტერპრეტაცია. ბალანსირებული ჭრილების და სტრუქტურული მოდელების აგებისათვის გამოყენებულია რღვევებთან დაკავშირებული ნაოჭების თეორია.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
7. 7.1	სეისმური საშიშროების შეფასება. სეიმური აქტივობის ზრდის ელექტრომაგნიტური ინდიკატორების შესწავლა (გარდამავალი 2014-2024 წწ.) საქართველოს ცალკეული უბნების სეისმური საშიშროების შეფასება. (გაითვლება სეისმური საშიშროების 1%, 2% , 5% და 10% ალბათური რუკები 50 წლიანი მოლოდინის დროისთვის, პიკური და სპექტრალური აჩქარებების 0.2 წმ და 1 წმ პერიოდებისთვის, შერჩეული 6 წერტილისთვის. ორ-ორი წერტილი დასავლეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში)	ნ. წერეთელი	ო.ვარაზანაშვილი
7.1 განხორციელდა რაჭის, აჭარის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის რეგიონებისთვის შერჩეულ წერტილებში ალბათური სეისმური საშიშროების გათვლა პიკური და სპექტრალური აჩქარებებისთვის რეგიონული გრუნტის მოძრაობის პროგნოზირების განტოლებების გამოყენებით. ასევე შერჩეული წერტილებისთვის მოხდა სეისმური საშიშროების დეზაგრეგაციისა და სეიმური საშიშროების გათვალა სცენარული მიწისძვრებისათვის.		

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
8. 8.1	სეისმური საშიშროების დაზუსტება (მიკროზონირება) საინჟინრო-სეისმოლოგიური მეთოდებით (გარდამავალი 2014-2024 წწ.) თბილისის ცალკეული უბნების სეისმური საშიშროების დაზუსტება	ნ. წერეთელი	ვ. არაბიძე კ. ყვავაძე ა. გვენცაძე ს. გოგმაჩაძე
8.1 სატესტო უბანი მდებარეობს ქ.თბილისის ე.წ საბურთალო-ვეძისის მიდამოებში, რომლის პირობით საზღვარს ჩრდილოეთის მხრიდან წარმოადგენს ლისის ქედის სამხრეთული ექსპოზიციის ფერდის ძირი. „საბურთალოს ბაზრიდან“ შ. ნუცუბიძის ქუჩის ბოლომდე. სამხრეთის მხრიდან საზღვარი გაუყვება მდ.ვერეს მარცხენა ნაპირს, გმირთა მოედნიდან საბურთალოს სასაფლაოს ბოლომდე. აღმოსავლეთის საზღვარი გმირთა მოედნიდან „საბურთალოს ბაზრამდე“, მ.კოსტავასა და ჟ. შარტავას ქუჩების გავლით. დასავლეთის საზღვარი კი მდ.ვერეს ხეობიდან სანდრო ეულის ქუჩის გავლით შ. ნუცუბიძის ქუჩამდე. ამ უბნისთვის მოხდა სეისმური საშიშროების შეფასება. გაითვალა სეისმური საშიშროების 1%, 2% , 5% და 10% ალბათური რუკები 50 წლიანი მოლოდინის დროისთვის, პიკური და სპექტრალური აჩქარებების 0.2 წმ და 1 წმ პერიოდებისთვის 200 მეტრიანი ბიჯით.		

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
9.	ნაგებობათა და სასიცოცხლო ინფრასტრუქტურის დაზიანებისა და მოწყვლადობის განსაზღვრა (გარდამავალი 2014-2024 წწ.)		
9.1	შენობების კლასიფიკაცია და მოწყვლადობის შეფასება თბილისის კონკრეტული უბნისთვის	ვ. არაბიძე	ნ. წერეთელი ა. გვენცაძე

9.1 სატესტო უბანი მდებარეობს ქ.თბილისის ე.წ საბურთალო-ვეძისის მიდამოებში, რომლის პირობით საზღვარს ჩრდილოეთის მხრიდან წარმოადგენს ლისის ქედის სამხრეთული ექსპოზიციის ფერდის ძირი. „საბურთალოს ბაზრიდან“ შ. ნუცუბიძის ქუჩის ბოლომდე. სამხრეთის მხრიდან საზღვარი გაუყვება მდ.ვერეს მარცხენა ნაპირს, გმირთა მოედნიდან საბურთალოს სასაფლაოს ბოლომდე. აღმოსავლეთის საზღვარი გმირთა მოედნიდან „საბურთალოს ბაზრამდე“, მ. კოსტავასა და ჟ.შარტავას ქუჩების გავლით. დასავლეთის საზღვარი კი მდ.ვერეს ხეობიდან სანდრო ეულის ქუჩის გავლით შ.ნუცუბიძის ქუჩამდე. ამ უბნისთვის მოხდა ნაგებობათა დეტალური პასპორტიზაცია, კლასიფიცირება. რამდენიმე შენობისთვის დინამიკური პარამეტრების დადგენა, საანგარიშო აქსელეროგამების პაკეტის შერჩევა და შესაბამისი დრეკადი და საანგარიშო რეაქციის სპექტრების გრაფიკების აგება.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
10.	კატასტროფების რისკებისა და ეკონომიკური ზარალების შეფასება (გარდამავალი 2014-2024 წწ.)		
10.1	კატასტროფების ეკონომიკური ზარალების დიაგრამების აგება და ანალიზი	ო. ვარაზანაშვილი	ნ. წერეთელი ა. გვენცაძე

10.1 საქართველოს ტერიტორიაზე ბუნებრივი კატასტროფების რისკების შეფასების დროს სტაბილური შედეგების მიღება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იქნება საკმარისი მონაცემი ცალკეული, უკვე მომხდარი ბუნებრივი კატასროფით გამოწვეული ზარალის შესახებ. ამ მიმართულებით წინა ორი წლის გამმავლობაში ჩატარებული ინტენსიური სამუშაოების შედეგად გამოყოფილი 12 ტიპის სტიქიდან 8-ის ბევრი ინდივიდუალური მოვლენისთვის მოხერხდა კატასტროფით გამოწვეული ზარალის შეფასება ფულად ერთეულებში (ამერიკულ დოლარებში). ეს ბუნებრივი კატასტროფებია: ზვავი, გვალვა, მიწისძვრა, წყალმოვარდნა, სეტყვა, გრიგალური ქარი, მეწყერი და ღვარცოფი. მონაცემები ზარალის შესახებ შეტანილია სათანადო უნიფიცირებულ პარამეტრულ კატალოგებში ცალკე გრაფის სახით. ოთხი ტიპის სტიქიისათვის (წაყინვა, ლიპყინული, ელჭექი, ნისლი) ასეთი ინფორმაციის მოპოვება ვერ მოხერხდა.

მიღებული ინფორმაციის შემდგომი ანალიზისა და ინტერპრეტაციისათვის, პირველ რიგში შერჩეულ იქნა დროითი პერიოდი 1975-2005 წწ., რომელშიც ყველა აღნიშნული 8 ტიპის ბუნებრივი კატასტროფის კატალოგებში საკმარისი მონაცემები იყო, როგორც მოვლენების, ასევე მათ მიერ გამოწვეული ზარალის შესახებ. მიუხედავად არასრული მონაცემებისა, ამ ტიპის ბუნებრივი კატასტროფების მიერ გამოწვეული ზარალის დიაგრამებმა გვიჩვენა, რომ აღნიშნული

პერიოდის განმავლობაში, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე დიდი ზარალი გამოიწვიეს მიწისძვრებმა ~6.5 მილიარდი ამერ. დოლარი; დაახლოებით ერთნაირი ზარალი გამოიწვიეს წყალმოვარდნებმა, სეტყვამ და გვალვამ, მათი ჯამური ზარალი შეადგენს ~850 მილიონ ამერ. დოლარს; შემდეგ ჯგუფშია ღვარცოფებისა და მეწყრებით გამოწვეული ჯამური ზარალი ~300 მილიონი ამერ. დოლარი და ბოლოს გრიგალური ქარებითა და ზვავებით გამოწვეული ზარალი უდრის ~70 მილიონ ამერ. დოლარს. მონაცემების შევსების შემთხვევაში თითოეულ ამ ჯგუფში შესაძლებელია ცვლილებების შეტანა, თუმცა ჯგუფებს შორის თანაფარდობა ჯამური ზარალის სიდიდის მიხედვით ალბათ აღარ შეიცვლება.

სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულე-ბის მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1.	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები სამხრეთ კავკასიაში (საქართველო - აღმოსავლეთი შავი ზღვა) (2014-2016 წწ.)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	შ. ადამია	ვ. ალანია ა. გვენცაძე თ. ბერიძე ო. ენუქიძე გ. ზაქარიაძე რ. გიგინეიშვილი ნ. სადრაძე ნ. წერეთელი
2.	საქართველოში ენგურის ჰიდროელექტროსადგურის უსფრთხოება გეოსაშიშროებებისგან (2015-2018 წწ,)	NATO-ს პარტნიორობისა და თანამშრომლობის უსაფრთხოების კომიტეტი	ნ. წერეთელი	ო. ვარაზანაშვილი ვ. არაბიძე ს. გოგმაჩაძე ა. გვენცაძე ვ. ალანია ნ. ყვავაძე გ. ჩაგანავა ი. ხვედელიძე

1. განსაზღვრულია აქტიური დაძაბულობის ველები არსებული შ და ახალი მონაცემების გათვალისწინებით; შევსებულია სეისმური კატალოგები; გამოყოფილია აქტიური რღვევების - მიწისძვრათა წყაროების სეისმური ზონები (რღვევების 3-განზომილებიანი გეომეტრია, კინემატიკა, max); ქალაქ თბილისის სეისმური რისკის შეფასებისთვის შედგენილია საინჟინრო-გეოლოგიური მსხვილმასშტაბიანი (1:25000) რუკა; განხილულია საქართველოს პალეოზოური და მეზოზოური აუზების ევოლუცია, კოლიზიამდელი და კოლიზიის შემდგომი მაგმატიზმი და პალეოტექტონიკური რეკონსტრუქციები, აგრეთვე სუპრასუბდუქციურ მაგმატიზმთან დაკავშირებული მეტალოგენია და პერსპექტიული მადნიანი უბნები.

2. პროექტი განხორციელება დაიწყო ა. წ. ნოემბრიდან. უცხოელ კოლეგებთან ერთად მოხდა პირველი გასვლა საკვლევ რაიონში. დაისახა შემდეგ წელში ჩასატარებელი სამუშაოების გეგმა. კერძოდ, 2016 წ.-ში მოხდება ენგურჰესის რაიონის შესწავლა მიწისძვრებისა და მეწყერების მიმართ. კერძოდ გამოკვლეული იქნება ხოკოს მოქმედი მეწყერის დინამიკა, აგრეთვე ჩატარდება ისტორიული მიწისძვრა „კვირას“ რეკონსტრუქცია საველე მონაცემებით და მათგან მომდინარე საშიშროების კაშხალზე გავლენის დადგენა.

პუბლიკაციები:
ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	ზ. კერესელიძე დ. ოდილავაძე	კონუსისებრი მიწისქვეშა ლავური მილის ჰიდროდინამიკური მოდელი თსუ მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის შრომათა კრებული	ბეჭდვაშია	თბილისი	15
2.	ზ. კერესელიძე გ. შერგილაშვილი	მდინარე ვერეს 12.06.2015 წლის წყალმოვარდნა და დახურული კალაპოტის ჰიდროდინამიკური პრობლემა თსუ მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის შრომათა კრებული	ბეჭდვაშია	თბილისი	30

1. ლავურ ნაკადებს ვულკანურ ფერდებსა და დედამიწის ზედაპირზე სრულად უკეთებს აპროქსიმირებას ნებისმიერი ფორმის კვეთის ღია არხი. კერძოდ, ჩვენს მიერ გამოყენებულ იქნა მიწისქვეშა ლავური მილის აპროქსიმაცია გაშლის მცირე კუთხის მქონე კონუსისებრი ძაბრით. შეაძლება ასევე ჩაითვალოს , რომ არ არის სითხის ხარჯი ე.ი. გარემოს მოძრაობა მილში არის რადიალურ-ბრუნვადი. მიწისქვეშა ლავური მილის კონკრეტული ჰიდროდინამიკური პარამეტრების ნაკრებისთვის, სიჩქარეთა კინემატიკური მოდელის დახმარებით, ჩატარებული ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ლავური ნაკადის თანდათანობითი ჩატრიალების შესაძლო გამომწვევი მიზეზი, ძაბრული ეფექტის კვალობაზე, შეიძლება ასევე წარმოადგენდეს ლავაგამტარი მილის შიდა ზედაპირის ხაოიანობა. ეს ფაქტორი შეიძლება გახდეს განსაკუთრებით ქმედითი ლავური მილის მეორადი შევსებისას, რომლის შინაგანი ზედაპირი შეიძლება გახდეს ხაოიანი ნიადაგის ზედაპირზე ლავური ნაკადის ფენის მიკვრით მისი თანდათანობითი გამოდინებისა და გაცივების გამო.

2. მდინარე ვერეს 12.07.2015 წ. კატასტროფული წყალდიდობა გამოწვეული იყო როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური მიზეზებით. მოხდა ანომალური ბუნებრივი მოვლენების (კოკისპირული წვიმა, გიგანტური მასშტაბების ღვარცოფი) ზედდება ტექნოგენურ ხარვეზებზე, რომელთა სათავეს, ჩვენი შეხედულებით, წარმოადგენს ვერეს დახურული კალაპოტი. ადრე ვერეს ბუნებრივი კალაპოტი იმდენად ფართოვდებოდა, რომ დიდი წყალმოვარდნის შემთხვევაშიც კი ხანმოკლე დატბორვის შემდეგ ჩვეულებრივ დიდი პრობლემის გარეშე უზრუნველყოფდა მოვარდნილი წყლის გატარებას მტკვრის მიმართულებით. ჩქაროსნული გზის მონაკვეთის პროექტში, როგორც სჩანს, სათანადოდ არ იყო გათვალისწინებული ვერეს დახურული კალაპოტის ჰიდროდინამიკური წინააღმდეგობის ეფექტი. სავარაუდოდ ამიტომ, იგნორირებული აღმოჩნდა კრიტიკული დატვირთვის პირობებში დახურული კალაპოტის ნაწილობრივი ჩაკეტვის შესაძლებლობა. კრიტიკული ვითარების წარმოქმნა ექსტრაორდინარულ პირობებში მნიშვნელოვნად განპირობებული იყო ვერეს დახურული კალაპოტის ტექნიკური ნაკლოვანებებით. კერძოდ, შეცდომა იყო დახურულ კალაპოტში არასწორხაზოვანი რკინაბეტონის სექციის კომბინაცია მნიშვნელოვანი სიგრძის თაღისებური განივი კვეთის მქონე გოფრირებული ფოლადის სექციასთან. ასეთი კონსტრუქციის უმთავრეს ხარვეზს წარმოადგენს გოფრირებული ფოლადის ზედაპირის განსაკუთრებული ხაოიანობა. ეს ნეგატიური ფაქტორი წყალმოვარდნის დროს აუცილებლად გამოიწვევდა დახურული კალაპოტის ჰიდროდინამიკური წინააღმდეგობის გაზრდას. ამიტომ, როგორც სჩანს, მნიშვნელოვნად შემცირდა დახურული კალაპოტის გამტარუნარიანობა, რასაც მოჰყვა კატასტროფული წყალდიდობა.

პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	Sh. A. Adamia T.G. Chkhotua T.T. Gavtadze Z.A. Lebanidze N.D. Lursmanashvili N.G. Sadradze D.P. Zakaraia	Tectonic setting of Georgia-Eastern Black Sea: a review/ Geological Society, London, Special Publications	428	London, Lyell collection	30

	G.S. Zakariadze				
2.	M. J. M. Meijers B. Smith D. Pastor-Galan R. Degenaar N. Sadradze S. Adamia L. Sahakyan A. Avagyan Y. Rolland M. Sosson C. Langereis C. Muller	Progressive orocline formation in the Eastern Pontides-Lesser Caucasus/ Geological Society, London, Special Publications	428	London, Lyell collection	39
3.	M. Sosson R. Stephenson Y. Sheremet Y. Rolland Sh. Adamia R. Melkonian T. Kangarl T. Yegorova A. Avagyan G. Galoyan T. Danelian M. Hässig M. Meijers C. Müller L. Sahakyan N. Sadradze V. Alania O. Enukidze J. Mosar	The Eastern Black Sea-Caucasus region during Cretaceous: new evidence to constrain its tectonic evolution. Comptes Rendus Geosciences	Submitted	Elsevier	
4.	V. Alania A. Chabukiani R. Chagelishvili O. Enukidze K. Gogrichiani N. Tsereteli.	Growth structures, piggy-back basins and growth strata of the Georgian part of the Kura foreland fold–thrust belt: implications for Late Alpine kinematic evolution. Geological Society, London, Special Publications	428	London, UK London Geological Society doi:10.1144/SP428.5 Denver, USA	

5.	Sh. Adamia V. Alania N.Tsereteli O. Enukidze, O. Varazanashvili N. Sadradze A. Gventsadze	Seismicity and active tectonics of Georgia and adjacent area. Geological Society of America (GSA) Special Paper	Denver, USA GSA Proceedings Volume*:* Tectonic Evolution and Seismicity of Southwest Asia, in Honor of the 40 Years of M.Berberian's Research Contributions." In press	Denver, USA	52
6.	N. Kvavadze, K. Kvavadze, N. Tsereteli	Geophysical and Radio Physical Methods for Observation of Seismic Activity in Georgia	XXth International Seminar/Worksh op on Direct and Inverse Problems of Electromagnetic and Acustic Wave Theory (DIPED)	Lviv, Ukraine	3
7.	N. Tsereteli, A. Askan, H. Hamzehloo	Hybrid-Empirical Ground Motion Models for Georgia	Acta Geophysica in press	Polish	

1. განხორციელდა რეგიონის გვიანი იურული და ცარცული დროის პალეოტექტონიკური რეკონსტრუქციები; განხილულია კაინოზოური დროის განმავლობაში თანამედროვე სტრუქტურების ჩამოყალიბება; აფრიკა-არაბეთის კონტინენტების სრული კოლიზიის შედეგად რეგიონის კოლიზიისშემდგომი სუბაერული აუზების სედიმენტაცია და ვულკანიზმი; შედგენილია სამხრეთ კავკასიის და მიმდებარე არეების ტექტონიკური ზონების კორელაციის რუკა.

2. სომხეთის და საქართველოს ტერიტორიაზე ცარცული - მიოცენური ასაკის ნალექებში გასინჯულია 37 პალეომაგნიტური ჭრილი. არსებული და ახალი მონაცემების საფუძველზე გაკეთებულია შემდეგი დასკვნები: აღმოსავლეთი პონტიდები – მცირე კავკასიონის ნაოჭა-რღვევითი მთიანი სარტყელი წარმოადგენს მზარდ ოროკლინს; გვიანცარცულ დრომდე არსებობდა ოროკლინის მცირე გაღუნვა, რომლის ნაწილი ჩამოყალიბდა პალეოცენის შემდგომ, შუა ეოცენურამდე დროის განმავლობაში, სამხრეთ სომხეთის ბლოკის ევრაზიის კონტინენტთან შეჯახების შედეგად; გაღუნვის 50% ჩამოყალიბდა ეოცენური დროის შემდგომ გვიან მიოცენურამდე არაბეთი-ევრაზიის კოლიზიის შედეგად.

3. ჩვენ წარმოვადგენთ ახალ დაკვირვებებს აღმოსავლეთ შავი ზღვა-კავკასიის რეგიონისათვის, რომლებიც გვაძლევენ საშუალებას აღვადგინოთ ცარცულ პერიოდში ნეოტეთისის ევოლუცია. ამ დროში ნეოტეთისის ოკეანური ფილა სუბდუქცირებდა ჩრდილოეთით, ევრაზიის კონტინენტური

ფილაქნის ქვეშ. ობდუქცირებული ოფიოლიტების ანალიზის საფუძველზე (აღმოსავლეთ ანატოლიდების და მცირე კავკასიონის გასწვრივ), ჩვენ ვაჩვენებთ, რომ ნეოტეთისში სპრედინგის ცენტრი არსებობდა ადრეულ იურულიდან ადრე ცარცული პერიოდის განმავლობაში. მოგვიანებით სპრედინგის ცენტრმა ნეოტეთისის ფილასთან ერთად განიცადა სუბდუქცია. ჩვენ ვარაუდობთ, რომ ასტენოსფერული მასალა მოძრაობდა ზევით, რამაც გამოიწვია შავი ზღვის კიდურა აუზის წარმოშობა. მოგვიანებით გვიან ცარცულ პერიოდში AESA აუზმა განიცადა ობდუქცია ტაურიდ-ანატოლია-სამხრეთ სომხეთის (TASAM) მიკრო ფილაზე, რომელიც თავის მხრივ შეეჯახა ევრაზიას ნაკერი ზონის გასწვრივ (AESA ნაკერი ზონა).

4. მტკვრის ფორლანდის ნაოჭა-შეცოცებითი სარტყელი მდებარეობს მცირე კავკასიონის აქტიური კოლიზიური ოროგენის ჩრდილოეთ ნაწილში, დაკავშირებული არაბეთ-ევრაზიის კონვერგენციასთან და წარმოადგენს გვიან ალპურ დროში მთების წარმოშობის საუკეთესო მაგალითს. სეისმური პროფილები გვიჩვენებენ რომ მტკვრის ფორლანდის ნაოჭა-შეცოცებითი სარტყელი არის აქტიური თხელ-ზეწრული ნაოჭა-შეცოცებითი სარტყელი და წარმოდგენილია რღვევა-გაღუნული, რღვევა-გავრცელებადი ნაოჭებით და დუპლექსებით. მტკვრის ნაოჭა-შეცოცებითი სარტყლის ფარგლებში არსებულ სეისმურ პროფილებში მზარდი ნალექების ანალიზი გვიჩვენებს, რომ დეფორმაცია გრძელდება უკანასკნელი 15-14 მლნ. წელი. მზარდი ნალექების გეომეტრია დაკავშირებულია სინკლინებთან და ფიგგი ბექ აუზებთან. მტკვრის ფორლანდის ფარგლებში კუმშვითი დეფორმაცია დაიწყო შუა მიოცენში (ჩოკრაკი) და მაქსიმალურ სიჩქარეს მიაღწია მიოცენის ბოლოს (5 მლნ.წ).

5. სტატიაში განხილულია საქართველოს სინ- და პოსტკოლიზიური აუზების ევოლუცია, მაგმატიზმი, ტექტონიკა და სეისმურობა.

6. სტატიაში განხილულია ძლიერი მოძრაობის ჩამწერი აქსელერომეტრის, სუსტი მოძრაობის ჩამწერი ველოსიმეტრისა და ზედაბალი სიხშირის ელექტრომაგნიტური დაკვირვების კომპლექსის შექმნა, რეალიზაცია და განვითარება საქართველოს სეისმური აქტივობის შესასწავლად ისევე, როგორც ქვედა იონოსფეროს მდგომარეობის შესასწავლად. მიღებული მონაცემები ავტომატურად იგზავნება თსუ მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტში შემდგომი დამუშავებისთვის. სტატიაში წარმოდგენილია ჩაწერილი მიწისძვრების მაგალითები და მიწისძვრების იონოსფეროზე ზემოქმედების დაკვირვებული ორი ეფექტი.

7. კერის სხვადასხვა მოდელებისთვის გამოყვანილი იქნა ჰიპრიდულ-ემპირიული მოდელი საქრთველოს ტერიტრიისათვის, სადაც შეცოცებითი მექანიზმებისთვის ე.წ. „მასპინძელი“ იყო ირანის მიწისძვრის მონაცემები, ხოლო ნაწევის ტიპის მექნიზმებისთვის თურქეთის მიწისძვრის მონაცემები. საბოლოოდ პიკური და სპექტრალური აჩქარებებისთვის მიღებული იქნა საკალიბრო კოეფიციენტები, რომლითაც მოხდება პროგნზირების გლობალური განტოლებების ნორმირება საქართველოს ტერიტორიისთვის.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.	გ. ჩაგანავა ლ. გეონჯიანი	აკუსტიკური ხმაურის, როგორც ურბანული ეკოლოგიური ფაქტორის სპექტრული მახასიათებლების კვლევისა და მონიტორინგის აპარატურის კონსტრუირება და გამოცდა	თსუ, მესამე სტუდენტური კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში

2.	ნ. ყვავაძე ნ. წერეთელი	სეისმური აქტივობის შესწავლა გეოფიზიკური და რადიოფიზიკური აპარატურული კომპლექსის გამოყენებით	თსუ, მესამე სტუდენტური კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში

1. ჩვენს მიერ დასახული ამოცანა აკუსტიკურ ტალღებთან დაკავშირებულ დღესდღეობით აქტუალურ საკითხებს შეეხება. ერთი მხრივ, დავინტერესდით ჩვენს საცხოვრებელ გარემოში არსებული ბგერითი მდგომარეობის შესწავლითა და ანალიზით; მეორე მხრივ კი, ამ გარემოს ადამიანზე ზეგავლენის თავისებურებების გამოკვლევით. ამიტომაც, უნდა ითქვას, რომ ჩვენი ამოცანა ორ ურთიერთდაკავშირებულ ნაწილად გაიყო. ესენია: 1) ჩვენს ქვეყანაში (კონკრეტულად ჩვენს ქალაქში) აკუსტიკური ხმაურის დონისა და სპექტრის განსაზღვრა და არსებული მდგომარეობის შესახებ სათანადო უწყებების ინფორმირება; 2) აკუსტიკური ხმაურის ადამიანის ფსიქიკურ სისტემაზე ზემოქმედების შემსწავლელი ლაბორატორიული ხელსაწყოების კონსტრუირება და გამოცდა.

პროექტის პირველი ნაწილის ფარგლებში ჩვენ მოვიძიეთ ინფორმაცია აკუსტიკური ხმაურისა და მისი შემსწავლელი დისციპლინების შესახებ, ჩამოვაყალიბეთ კონცეფციები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გავზომოთ ქალაქის აკუსტიკური გაჭუჭყიანების დონე და მოვახდინოთ მისი შესწავლა. მოცემული ამოცანა გავაცანით გეოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომლებს, რის შედეგადად დაიგეგმა გაზომვითი ღონისძიებების ჩატარება ქალაქის რამდენიმე ადგილას. ჩატარდა რამდენიმე პირველადი გაზომვა. ასევე, მოვიძიეთ ინფორმაცია კანონმდებლობაში არსებული ხმაურის რეგულაციების შესახებ. მოცემული ამოცანის აქტუალობიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ აღნიშნული პროექტით უნივერსიტეტის სახელით მიგვემართა ქალაქის ზემდგომი ორგანოებისათვის. ამისთვის მომზადდა რექტორის წერილი და პროექტი. აღსანიშნავია, რომ ამოცანის განხორციელების პროცესი თანდათანობით მაშტაბურ სახეს იღებს.

ამოცანის მეორე ნაწილი ლაბორატორიული ხელსაწყოს კონსტრუირებასა და მის ექსპერიმენტებში გამოცდა გულისხმობს. შედეგად დამზადდა აკუსტიკური ტალღების გადამცემი და მიმღები სისტემები. აღნიშნული ხელსაწყოს მიზნობრივი გამოყენება დაიწყო საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში, სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტზე არსებულ ფსიქოლოგიის ლაბორატორიაში.

საბოლოოდ, ჩვენ დავგეგმეთ ე.წ. სტუდენტური საინიციატივო ჯგუფის ჩამოყალიბება, რომლის მიზანი იქნება მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის, ინფორმირება აღნიშნული პრობლემებით და მოქალაქეებში აკუსტიკური კულტურის ამაღლების ხელშეწყობა.

2. ყოველი მოვლენის შესწავლისას მნიშვნელოვანია გამოყენებული იქნას დაკვირვებების სხვადასხვა მეთოდი, რაც საშუალებას იძლევა მოვლენის უფრო დეტალურად შესწავლის. სეისმური აქტივობის შესწავლა რთულ ამოცანას წარმოადგენს და საჭიროებს დაკვირვებების სხვადასხვა მეთოდების გამოყენებას.

ნაშრომის მიზანია, საქართველოს სეისმური აქტივობის შესასწავლად, ერთდროული დაკვირვების სისტემის შექმნა აქსელერომეტრით, ველოსიმეტრითა და ზედაბალი სიხშირის ელექტრომაგნიტური ტალღების იონოსფეროში გავრცელების დაკვირვებით. მიღებული მონაცემების დამუშავების მეთოდიკის შემუშავება და წინასწარი დამუშავება. სისტემა შექმნილია და მუშაობს თსუ-ს იონოსფეროს ობსერვატორაიში, ხოლო მონაცემები ინახება თსუ-ს მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტში. ეს სისტემა პირველად არის შექმნილი საქართველოში და უნიკალურია.

ნაშრომში განხილულია სეისმური აქტივობის შესწავლის ეტაპები. მიწისძვრების არსებული ჩანაწერებისათვის თავიდან იქნა დათვლილი ჰიპოცენტრი და მექანიზმები, რის საფუძველზეც შეიქმნა მიწისძვრის ახალი კატალოგი.

ზედაბალი სიხშირის გადამცემები გამოიყენება წყალქვეშა ნავებთან კომუნიკაციისთვის. ასეთი სიხშირის ტალღები ვრცელდება ე.წ. დედამიწა-იონოსფეროს ტალღგამტარში და შესაბამისად მათი ამპლიტუდის და ფაზის ვარიაციები მკვეთრად არის დამოკიდებული დედამიწის იონოსფეროს მდგომარეობაზე. უკვე ითვლება დამტკიცებულად, რომ იონოსფეროს

ელექტრონული კონცენტრაციის ვარიაციებში გარკვეულ როლს თამაშობს სეისმური აქტივობა. მოყვანილია იმ მიწისძვრების მაგალითები, რომლებიც დაფიქსირებულია იონოსფეროზე დაკვირვებით. ასევე ლოკალური მიწისძვრები ჩაწერილია აქსელერომეტრითა და ველოსიმეტრით.

ბ) უცხოეთში

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.	Sh. Adamia, R. Gobejishvili, N. Sadradze, E. Tsereteli	Quaternary Map of Georgia 2015 (scale 1:500000).	Third CGMW(Commission of the Geological Map of the Word) Meeting on the Geosciences of the Middle East, Tehran, Iran, October 5th -6th 2015
2.	Sh. Adamia, T. Chkhotua, V. Gugugshvili, N. Sadradze, G. Zakariadze	Magmatic Map of Georgia 2015 (scale 1:500000)	Third CGMW (Commission of the Geological Map of the Word) Meeting on the Geosciences of the Middle East, Tehran, Iran, October 5th -6th 2015
3.	ნ. წერეთელი ზ. კერესელიძე	წერტილოვანი აფეთქების სეისმური ენერგიის მოდელირება მოცულობითი ტალღების სიხშირული სპექტრის საშუალებით	SnT Conference CTBTO. 2015. Vienna Austria
4.	N. Tsereteli, V. Alania, O. Varazanashvili, N. Kvavadze	New Shakemaps for Georgia Resulting form Collaboration with EMME	AGU Fall Meeting, San Francisco, USA 2015 . 14 -18 December
5.	N. Kvavadze, N. Tsereteli, K. Kvavadze	Study of Seismic Activity Using Geophysical and Radio-Physical Equipment for observations	AGU Fall Meeting, San Francisco, USA 2015.14 -18 December
6.	A. Askan, Nino Tsereteli	Hybrid-Empirical Ground Motion Models for Georgia.	2015. SSA 21--23 April 2015 Pasadena, California
7.	N. Tsereteli, O. Varazanashvili, A. Askan	Earthquakes, vulnerability and disaster risk: Georgia case.	2015 EGU General Assembly, 12 -17 Aprol, Vienna, Austria
8.	N. Tsereteli, O. Varazanashvili, A. gventcadze, V. Alania	Gaps in monitoring system and Data center for Natural Hazard and Risk assessment in Georgia	SnT Conference CTBTO. 2015. Vienna Austria
მოხსენებათა ანოტაციები			

1.წარმოდგენილია საქართველოს მეოთხეულის გეოლოგიური ციფრული რუკა. იდენტიფიცირებულია სეისმოაქტიური სტრუქტურები – მიწისძვრის წყაროები, რომლებთანაც დაკავშირებულია $M_w \geq 5$ ისტორიული და ინსტრუმენტული პერიოდის მიწისძვრის კერები; დაზუსტებულია სეისმოაქტიური რღვევების კინემატიკა.
2.წარმოდგენილია საქართველოს მაგმური ფორმაციების ციფრული რუკა და მონაცემთა ბაზა; თითოეული მაგმური ფორმაციისთვის შედგენილია მონაცემთა ბაზა, განსაზღვრულია ტექტონიკური პოზიცია.
3. ამოხსნილია შებრუნებული ამოცანა, რომლის მიზანი იყო მოცულობითი სეისმური ტალღების დისკრეტული სიხშირული სპექტრის მოდელირება, რომელთა გენერაციის მიზეზს წარმოადგენს ხელოვნური წერტილოვანი აფეთქება ან სუსტი მიწისძვრა ($M \leq 4$). შემოთავაზებულია სიცარიელის მქონე წერტილოვანი აფეთქების არის სფერული მოდელი და გამოყენებულია სითხის წვეთის საკუთარი ჰიდრომექანიკური რხევების მოდელირების ცნობილი ანალიზური მეთოდი. ნაშრომის სიახლეს წარნოადგენს ეილერის რადიალური განტოლების სრული ამონახსნის გამოყენება. კლასიკური სქემის ასეთი მოდიფიკაცია, რომელშიც გამოიყენებოდა მხოლოდ შინაგანი ამონახსნი, მათემატიკურად საკმაოდ კორექტულია, რადგანაც გულისხმობს სეისმური კერის რხევების ვირტუალობას. შედეგად, მოცულობითი სეისმური ტალღების სიხშირეთა დისკრეტული სპექტრის საშუალებით შესაძლებელი ხდება, სიცარიელის მქონე სფერული სხეულით აპროქსიმირებული, წერტილოვანი აფეთქების (სუსტი მიწისძვრის) პარამეტრების განსაზღვრა. ასეთი მახასიათებლებია სეისმური კერის (პლასტიკურობის ზონა) რადიუსი და წრფივი დრეკადობის არის რადიუსი. ამის შემდეგ შესაძლებელია წერტილოვანი აფეთქების ან სუსტი მიწისძვრის სეისმური და სრული ენერგიის საკმაოდ მარტივად შეფასება.
4. კავკასიის რეგიონის სეისმური აქტივობის შესასწავლად შექმნილი იყო დაკვირვების კომპლექსი რომელიც შეიცავს: აქსელერომეტრს, სეისმომეტრსა და ზედაბალ სიხშირეზე დაკვირვების ანტენურ სისტემას. სისტემა შექმნილია და მუშაობს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იონოსფეროს ობსერვატორიაში რომელიც მდებარეობს სოფელ ტაბახმელაში. მიღებული მონაცემები იგზავნება თსუ მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტში არსებულ სერვერზე. მოყვანილია შექმნილი სისტემის ბლოკსქემა და მონაცემთა ანალიზის მეთოდები, პროგრამები შექმნილია ასევე იონოსფეროს ობსერვატორიაში. ასევე გაკეთებულია წინასწარი დამუშავება. მოყვანილია შედეგები. კომპლექსი არის პირველი დაგეგმილი 6-დან, რომლებიც განთავსდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.
5. ალბათური სეისმური საშიშროებისა და რისკის სწორი განსაზღვრა არის პირველი ნაბიჯი სეისმური რისკების შემცირების დაგეგმვისაკენ. საქართველოსთვის გათვლილი იყო სეისმური საშიშროების რუკები ახალი მიდგომის გამოყენებით EMME (მიწისძვრის მოდელი შუა აღმოსავლური რეგიონისათვის) პროექტის ფარგლებში. EMME იყო GEM-ის ერთ-ერთი წარმატებული მცდელობა რეგიონალურ დონეზე. EMME და GEM-ის დახმარებით, რეგიონული მოდელები გაანალიზდა, არსებული ინფორმაციის აღმოჩენასა და საჭირო სამუშაოების დასადგენად, საშიშროების რუკების მოსამზადებლად. ალბათური სეისმური საშიშროების რუკა (PSH) წარმოადგენს აუცილებელ ბაზას სამშენებლო კოდების და მშენებლობის ხარისხის გასაუმჯობელად. ყველაზე დიდ პრობლემას საქართველოს ტერიტორიისთვის წარმოადგენს გრუნტის მოძრაობის სანდო მონაცემების არ არსებობა. ამისთვის საწყისი გრუნტის მოძრაობის ჰიბრიდული ემპირიული მოდელი PGA და SA-სთვის შერჩეული პერიოდებისთვის იყო შექმნილი. ეს კოეფიციენტები გრუნტის მოძრაობის მოდელებისთვის გამოყენებული იყო ალბათური სეისმური საშიშროების განსასაზღვრად. მიღებული შედეგები, სეისმური საშიშროების რუკების სახით, გვიჩვენებს რომ არსებობს ხარვეზები არსებულ სეისმური საშიშროების რუკებში და არსებული ნორმატივები სეისმური საშიშროებისთვის საჭიროებს გადაანგარიშებას.
6. გამოყვანილი იქნა კერის სხვადასხვა მოდელებისათვის ჰიპრიდ -ემპირიული მოდელი საქრთველოს ტერიტრიისათვის, სადაც ე.წ. მასპინძელი იყო შეცოცებიტი მექანიზმებისათვის ირანის მიწისძვრის მონაცემები ხოლო ნაწევისტიპის მექნიზმებისათვის თურქეთის მიწისძვრისმონაცემები. საბოლოოდ პიკური და სპექტრალური აცქარებებისატვის მიღებული იქნა საკალიბრო კოეფიციენტებო, რომლიტაც მოხდება გლობალური პროგნზირებადი განტოლებების

ნორმირება საქართველოს ტერიტორიისათვის. 7. განხილულია სავარუდო მოწყვლადობის მოდელები საქართველოს შენობა- ნაგებობისთვის და განსაზღვრულია სეისმური სასიშროება და სეისმური რისკი რამდენიმე ტიპის შენობისთვის. 8. განხილულია არსებული პრობლემები სეისმური საშიროების და ზოგადად კატასტროფების მონაცემეთა ბაზაში. დასახულია გზები მულტი-გეოფიზიკური ქსელის ოპტიმალური განვითარებისთვის.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1.	სეისმოპროფილირების შედეგების ანალიზი	ა. გვენცაძე	ნ. ყვავაძე ვ. არაბიძე გ. ჩაგანავა	ხელშეკრულება
1. განვლილი წლის განმავლობაში, ქალაქ თბილისში, ხელშეკრულებების თანახმად ჩვენს მიერ შესრულდა შემდეგი ტიპის სამუშაოები: ქ. თბილისში, ფონიჭალაში, რუსთავის გზადკეცილის მშენებლობასთან დაკავშირებით გეოფიზიკური სამუშაოები სეისმური ჭრილების დასადგენად და იგივე ტიპის სამუშაოები ჩატარდა ფონიჭალაში, ფარმაცევტული ქარხნის ტერიტორიაზე სეისმური ჭრილების დასადგენად. ჩატარებულმა სეისმურმა და გეოფიზიკურმა კვლევემბა გვიჩვენა, რომ ორივე შემთხვევაში საკვლევ ტერიტორიაზე გამოიყო სამი ძირითადი საინჟინრო სეისმოლოგიური ელემენტი გარკვეული გეოდინამიკური მახასიათებლებით.			

IV. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1.	დომინანტური სიხშირის შესწავლა	ნ. წერეთელი	ა. გვენცაძე გ. ჩაგანავა ნ. ყვავაძე ვ. არაბიძე	ხელშეკრულება
1. ქ, თბილისში, თავისუფლების მოედანი №7, გუდიაშვილის ქუჩა №2 და გუდიაშვილის ჩიხში, 7-ვარსკვლავიანი სასტუმრო-კომპლექსის სამშენებლო ტერიტორიაზე ჩატარდა გეოფიზიკური კვლევები, განისაზღვრა ვიბრაციის დონის ნორმატიულ მნიშვნელობებთან შესაბამისობა და ვიბრაციის გავლენა რუსთაველის №1 -ში მდებარე შენობაზე.			

დამატებითი ნაწილი

მეცნიერ თანამშრომელი ა. გვენცაძე მიწვეული იყო როგორც GIS-ის ექსპერტი შპს „გეოპროექტ“-მიერ, სადაც მან შეასრულა შემდეგი ტიპის სამუშაოები: 1) სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო

ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“-ს ტენდერის საფუძველზე ჩატარდა გეოდეზიური კვლევა დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. წინამძღვრიანთკარის პროფესიული სასწავლებლის ტერიტორიაზე; 2) ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტენდერის საფუძველზე ჩატარდა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფ. აფენში შიდა სასოფლო გზის ასფალტის საფარით მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურება, გზის ტახეომეტრიული აგეგმვა (ტოპოგრაფიული რუკის მომზადება). სავალი ნაწილის არსებული საგზაო სამოსის კონსტრუქციის გამოკვლევა (გეოლოგიური ჭრილები).

ტრენინგები:

1. 14-17 აპრილი, 2015 წელი - GEM მიწისძვრის გლობალური მოდელის სამუშაო სემინარი. ნინო წერეთელი, ნინო ყვავაძე.
2. 1-12 ივნისი, 2015 წელი - განვითარებადი ქვეყნების სასწავლო პროგრამა მიზისძვრების ინჟინერიასა და კატასტროფების მენეჯმენტში, ორგანიზებული სტამბოლის ტექნიკური უნივერსიტეტის (ITU), იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო (JICA), პრემიერ მინისტრთან არსებული კატასტროფებისა და საგანგებო სიტუაციების მენეჯმენტის პრეზიდენტურა (AFAD) და თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტო (TIKA)-ს მიერ. ნინო წერეთელი, ალექსანდრე გვენცაძე, ნინო ყვავაძე.

გეოფიზიკური ველების დინამიკისა და გამოთვლითი გეოფიზიკის სექტორი.

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი

თეიმურაზ მაჭარაშვილი

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა

თეიმურაზ მაჭარაშვილი, ფიზ. მათ მეცნ. დოქტორი (ხელმძღვანელი)
ნატალია ჟუკოვი – უფროსი სპეციალისტი
ეკატერინე მეფარიძე – მეცნიერ თანამშრომელი
ალექსანდრე სბორშჩიკოვი – მეცნიერ თანამშრომელი
დიმიტრი ტეფნაძე – მევნიერ თანამშრომელი
ზურაბი ჭელიძე - სპეციალისტი
ნოდარ ჯავახიშვილი - ლაბორანტი

I. 2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	სეისმური და გეოფიზიკური ველების დინამიკის სტრუქტურის კვლევა.	თ. მაჭარაშვილი	თ. მაჭარაშვილი, ნ. ჟუკოვა ე. მეფარიძე ა. სბორშჩიკოვი დ. ტეფნაძე ნ. ჯავახიშვილი
კავკასიასა და მიმდებარე ტერიტორიებზე გამოკვლეული იქნა მიწისძვრების განაწილების დროითი და სივრცული სკეილინგის თავისებურებანი. მონაცემთა მასივების ანალიზის თანამედროვე მეთოდები გამოვიყენეთ მოლოდინის დროსა და მიწისძვრებს სორის მანძილების მასივებისათვის ორიგინალურ და დეკლასტერიზებული კატალოგებიდან. სკეილინგური მახასიათებლები განისაზღვრა გამოყოფილი სეისმური ენერგიის სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის.			
2	გარე ელექტრომაგნიტური ზემოქმედებით გამოწვეული დინამიკური ცვლილებები ლოკალურ სეისმურ პროცესში.	თ. მაჭარაშვილი	თ. მაჭარაშვილი, ნ. ჟუკოვა ე. მეფარიძე დ. ტეფნაძე ა. სბორშჩიკოვი
ელექტრომაგნიტური ზემოქმედების შედეგად მოდელირებული სეისმური პროცესის მახასიათებლები განიცდიან როგორც თვისებრივ ისე რაოდენობრივ ცვლილებებს. გარე ზეგავლენის ეფექტი განსაკუთრებით ცხადია კრიტიკულობასთან ახლო მყოფ მდგომარეობაში.			

3	არათანაბარი ხახუნის დინამიკური თავისებურებების კვლევა ლაბორატორიულ პირობებში.	თ. მაჭარაშვილი	ნ. ჟუკოვა ე. მეფარიძე ა. სბორშჩიკოვი დ. ტეფნაძე ნ. ჯავახიშვილი
არათანაბარი ხახუნის აკუსტიკური ემისიის, როგორც სეისმური პროცესის მოდელის, კვლევას ლაბოტრატორიაში ვაგრძელებთ შეხების სხვადასხვა ზედაპირებისა და მოძრაობის პირობების გავლენის კვლევას სტიკ-სლიპის დინამიკურ თავისებურებაზე.			

I. 4. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1.	დინამიკურად ტრიგირირებული სეისმურობა – დედამიწის ქერქის დაძაბული მდგომარეობის შეფასების ახალი მეთოდი: გამოყენება მიწისძვრის პროგნოზირებისათვის	რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	თ. ჭელიძე	თ. ჭელიძე გ. კობზევი ნ. ჟუკოვა ე. მეფარიძე
პროექტი გარდამავალია - მთავრდება 2016 წ. დამთავრებულია 6 ეტაპი - დადგენილია, რომ ტიპური დინამიკურად ტრიგერირებული ტრემორები კავკასიისა და ჩრდილო თურქეთში არ დაიკვირვება. პრაქტიკულად ყველა ძლიერი შორეული მიწისძვრა იწვევს ჭაბურღილებში წყლის დონის შესამჩნევ ოსცილაციებს, რომლებიც ძირითადად განივი ან ზედაპირული ტალღებით არის განპირობებული. ამავე დროს დადგინდა, რომ ძლიერი შორეული მიწისძვრა ხშირად იწვევს დინამიკურად ტრიგერირებულ ლოკალურ სუსტ სეისმურობას (არა ე.წ.ტრემორს). პირველადი მონაცემები მოწმობს, რომ ეს დინამიკურად ტრიგერირებული ლოკალური სეისმურობა შესაძლოა გამოვლინდეს მხოლოდ სპეციფიკურ ტექტონიკურ ზონებში. მიმდინარეობდა საქართველოს ტექტონიკური ზონების ტრემორების და დაძაბულობის ველების მონაცემების შეგროვება, კორელაციის შეფასება და აბსტრაქტის შედგენა, თრემორების კატალოგის კომპლექსური ქსელების ანალიზი, კომპლექსური ქსელების ანალიზის კომპიუტერული პროგრამის დახვეწა, კონფერენციის თეზისების მომზადება და სტიქ-სლიპ მონაცემებზე პროგრამული პაკეტის ტესტირება დინამიკურად ტრიგერირებული სეისმურობის ანალიზისათვის. გაუმჯობესდა სტიკ-სლიპის მოძრაობის ლაბორატორიული დანადგარი, დაიხვეწა მისი მექანიკური ნაწილი. სტიკ-სლიპის პროცესის ჩამწერ (დეფორმაციები, აკუსტიკური ემისია) ექსპერიმენტულ დანადგარზე სიხშირეების და ინტენსიობის ცვილების დროს ჩატარდა სხვადასხვა ცდები. მიმდინარეობდა მიღებული მონაცემთა ბაზის შექმნა და დამუშავება.			

II. 1. პუბლიკაციები:
ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	T. Chelidze, T.Matcharashvili, Z.Javakhishvili, N. Zhukova, N. Jorjiashvili, Ia Shengelia, E. Mepharidze, Z. Chelidze, A. Sborshchikovi	Temporal and Spatial Variations of Scaling Behavior of Seismic Process in Caucasus, Bulletin of the Georgian National Academy of Sciences	vol. 9, no. 2, 2015, pp. 59-64.	თბილისი, მეცნიერებათა აკადემია	6
2	T. Matcharashvili, Z. Tsveraidze, T. Chelidze, M. Janiashvili	In Proc. Int. Conf. dedicated to Acad. I.Prangishvili's 85 Anniversary	ICT-2015	თბილისი	5

1. წარმოდგენილ ნაშრომში გამოკვლეულია კავკასიის ტერიტორიაზე 1960-2014 წლებში მომხდარი მიწისძვრების განაწილების დროითი და სივრცული სკეილინგის თავისებურებანი. მიწისძვრებს მოლოდინის დროებისა და მათი დაშორების მანძილების მონაცემები მიღებულ იქნა დეკლასტირიზირებული კატალოგიდან. ასევე დათვლილი იქნა 5 წლის მონაცემების სკეილინგის მაჩვენებლები. დაახლოებით 0.5 მნიშვნელობის და ანტიპერსისტენტული სკეილინგური ექსპონენტები მიღებული იქნა რეგიონში ძლიერი მიწისძვრების მოხდენის პერიოდებისათვის.
2. ნაშრომში განხილულია ინფორმაციული განზომილებების გამოყენების საკითხი რთული დინამიკური პროცესებისათვის. მოცემულია თეორიული პრინციპები და აღწერილია პრაქტიკული გამოყენების მაგალითები. გამოკვლევა ჩატარდა სხვადასხვა მასივებზე მათ შორის, ტექნიკურ და სამედიცინო მონაცემთა მასივებზე. კვლევის შედეგები ადასტურებენ ინფორმაციული განზომილებების გამოთვლის ეფექტურობას რთული დინამიკური პროცესების შესწავლაში.

II. 2. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	T.Chelidze, T. Matcharashvili	Dynamical Patterns in seismology. in: Recurrence	2015, DOI: 10.1007/978-3-319-07155-8-10	Springer	51

2	Teimuraz Matcharashvili, Tamaz Chelidze, Natalia Zhukova	Quantfication Analysis, Understanding Complex Systems, Assessment of the relative ratio of correlated and uncorrelated waiting times in the Southern California earthquakes catalogue, PHYSICA A:	2015, v. 433, DOI: 10.1016/j.physa.2015.03.060	Elsevier	13

1. ნაშრომი ეძღვნება სეისმური პროცესების კვლევაში რეკურენტული რაოდენობრივი ანალიზის თანამედროვე მეთოდის გამოყენებას. აღწერილია მეთოდის ძირითადი პრინციპები როგორიცაა რეკურენტული დიაგრამების აგება და რეკურენტული დიაგრამებიდან რაოდენობრივი მახასიათებლების გამოთვლის გზები. განხილულია რეკურენტული რაოდენობრივი ანალიზის პრაქტიკული გამოყენების მაგალითები სეისმური კატალოგიდან აღებულ მონაცემებზე და ლაბორატორიული არათანაბარი ხახუნის დროით სერიებზე.
2. ნაშრომში აღწერილია ახალი მეთოდი, რომელიც სეისმურ კატალოგში კორელირებული და არაკორელირებული მოვლენების თანაფარდობის შეფასების საშუალებას იძლევა. მეთოდი გამოყენებულია კალიფორნიის მიწისძვრების კატალოგისათვის. აგრეთვე განხილულია მეთოდის გამოყენების საკითხი სხვა სეისმურად აქტიური რეგიონებისათვის მათ შორის კავკასიისათვის.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	T. Chelidze, T. Matcharashvili, V. Abashidze, T. Tsaguria	Analysis of real-time monitoring data of large dams (system DAMWATCH) by linear and nonlinear methods (package DAMTOOL)	ნაგებობათა საინჟინრო უსაფრთხოების და გეოტექნიკური მონიტორინგის სისტემები, 25 .02. 2015, თბილისი
2	T. Chelidze, T. Matcharashvili, V. Abashidze	Analysis of static/low frequency strain vibration data of large dams and reservoir induced seismicity by linear and nonlinear methods	Security against Geohazards at the major Enguri Hydroelectric scheme in Georgia, 03.11. 2015, თბილისი

1. აღწერილია ენგურის კაშხალზე შექმნილი ზუსტი დახრისმზომების ავტომატური ტელემეტრული მონიტორინგის ქსელი (system DAMWATCH) და მონაცემთა დამუშავებისათვის განკუთვნილი ახალი პაკეტი (package DAMTOOL), რომელშიც შედის დახრების/დეფორმაციების წრფივი და არაწრფივი დამუშავების მეთოდები. ნაჩვენებია, რომ დახრების/დეფორმაციების ფონური დროითი მწკვრივიდან გადახრები ნათლად ფიქსირდება მოცემული მეთოდებით, რაც შესაძლებლობას იძლევა შემდგომში შეიქმნას ადრეული

შეტყობინების სისტემა.

2. ენგურის კაშხლის დეფორმაციების/ვიბრაციების დროითი მწკვრივების წრფივი და არაწრფივი მეთოდებით დამუშავების საფუძველზე ნაჩვენებია, რომ დაბალსიხშირული (0.1-0.001)ჰც სიხშირის ვიბრაციების ანალიზი სასარგებლოა ნაგებობის სტაბილურობის დასადგენად. ეს ფაქტობრივად დიაგნოსტიკის ახალი მეთოდია.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	T. Matcharashvili, T. Chelidze, N. Zhukova, E. Mepharidze, A. Sborschikov	Analysis of Time Structure of Seismic Process	Institute of Geophysics of PAN, Warsaw, 5 July 2015
2	T. Chelidze, N. Zhukova, T. Matcharashvili, E. Mepharidze,	Are there attractors in seismic time series?	26th General Assembly of the International Union of Geodesy and Geophysics (IUGG), Prague, Czech Republic, 22 June –2 July, 2015
3	T. Chelidze, T. Matcharashvili	Analysis of Complexity in Seismic Time Series	26th General Assembly of the International Union of Geodesy and Geophysics (IUGG), Prague, Czech Republic, 22 June –2 July, 2015
4	T. Chelidze, I. Shengelia, N. Zhukova, T. Matcharashvili, G. Melikadze, G. Kobzev	M9 Tohoku earthquake response in Caucasus – possible local tremors and hydroseismic effects	26th General Assembly of the International Union of Geodesy and Geophysics (IUGG), Prague, Czech Republic, 22 June –2 July, 2015

1. მოხსენება შეეხებოდა სეისმური პროცესის დინამიკური სტრუქტურის შესწავლაში თანამედროვე არაწრფივი ანალიზის მეთოდების გამოყენების საკითხებს. განხილული იქნა დროითი სერიების დინამიკური სტრუქტურის კვლევის სხვადასხვა მეთოდის გამოყენების მაგალითების კავკასიასა და სხვა სეისმურად აქტიურ რეგიონებში.
2. სეისმური კატალოგები განიხილება დეტალურად სტატისტიკური ანალიზის მეთოდების გამოყენებით, რომლებიც გვიჩვენებენ დამოუკიდებელ და ურთიერთდამოკიდებულ მოვლენებს (კლასტერები). ბოლო დროს განიხილება ატრაქტორების ზეგავლენა სეისმურ დროით სერიებზე, რაც გვაძლევს დეტერმინირებული ქაოსის მოდელს. მოხსენებაში განხილული იქნა თუ როგორი ზეგავლენა აქვს სეისმურ სიჩქარეების დროით სიხშირულ მაჩვენებლებს არაწრფივ სტრუქტურაზე კავკასიის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მანამდე და ძლიერი მიწისძვრების შემდეგ - სპიტაკი (1988) და რაჭა (1991).
3. მოხსენებში განხილული იქნა სეისმური დროითი სერიების სირთულის ანალიზი. პრაქტიკაზე სეისმური მწკვრივები წარმოიდგინება როგორც შემთხვევითი (პუასონის) პროცესი სეისმური საშიშროების შეფასება. სეისმური კატალოგები შეიცავენ დამოუკიდებელ და ძლიერად კორილირებულ მოვლენებს. შემთხვევითი სტრუქტურის დალაგებისთვის ხდება მოვლენების კატალოგებს დეკლასტერიზაცია. სეისმური უწყვეტი ჩანაწერები (სეისმოგრამები) შეიცავენ როგორც ძლიერი ასევე სუსტი მოვლენების (მიწისძვრების) ინფორმაციას, როგორიცაა ხმაური და დინამიკურად ტრიგირირებულ მოვლენები (ტრემორები).

4. აბსტრაქტში განხილული იქნა ძლიერი მიწისძვრის დროს ტოჰოკუს (M9) წარმოქმნილი ტრემორების არსებობა და ჰიდროსეიმური ეფექტი კავკასიის ტერიტორიაზე განლაგებულ ჭაბურღილებში. დაკვირვებებით დადგინდა ძლიერი მოვლენის არსებობისას ჭაბურღილებში წყლის დონის ვარიაცია. აღნიშნული კვლევის ფარგლებში ჭაბურღილების მონაცემები ფიქსირდებოდა ბორჯომის და ქობულეთის მიმდებარე ტერიტორიებზე S, ლიავას და რელეის ტალღების გავრცელების დროს. ასეთი მკაფიო დამოკიდებულების შემთხვევაში მიწისძვრების კლასიფიკაცია ხდება უფრო სანდო. კვლევაში დაიკვირვებოდა წყლის დონის ცვლილება სხვადასხვა ზედაპირული ტალღების გავრცელების დროს.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

IV. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	გვალვების განმეორებადობის კვლევა არაწრფივი მეთოდების გამოყენებით	თ. ჭელიძე	ნ. ჟუკოვა თ. მაჭარაშვილი	ევროპის საბჭო
პროექტი გარდამავალია - თბილისის და ათენის ყოველდღიური ტემპერატურული მონაცემების ანალიზის საფუძველზე შესწავლილი იქნა პროცესის დინამიკური თავისებურებები. ნაჩვენები იქნა რომ დაკვირვების პერიოდში ადგილი ქონდა სხვადასხვაგვარი დინამიკური თავისებურებების გამოვლენას მათ შორის იმ პერიოდებში როდესაც აღინიშნებოდა ტემპერატურის ზრდის ტენდენცია.				

დედამიწის ფიზიკის და გეომაგნეტიზმის სექტორი.

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი კ. ქართველიშვილი - ფიზ. მათ. მეცნ. დოქტორი - მთ. მეცნ. თან.

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

კ. ქართველიშვილი - ფიზ. მათ. მეცნ. დოქტორი - მთ. მეცნ. თან.
გ. ბერიშვილი - აკად. დოქტორი - უფრ. მეცნ. თან.
ნ. მებაღიშვილი - აკად. დოქტორი - მეცნ. თან.
ს.ღონღაძე - აკად. დოქტორი - უფრ. მეცნ. თან.
მ. ნიკოლაიშვილი - აკად. დოქტორი - მეცნ. თან.
თ. ქირია - პროგრამირება და კომპიუტერული უზრუნველყოფა - წამყვანი სპეციალისტი.
გ. ქართველიშვილი - უფრ. ლაბორანტი.

I.

II. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	მიმოქცევითი დეფორმაციები დედამიწის მყარ ტანში	კ. ქართველიშვილი	კ. ქართველიშვილი გ. ქართველიშვილი მ. ნიკოლაიშვილი
2	მიწისქვეშა ობსერვატორიის უნიკალური ვერტიკალური ექსტენზომეტრით დარეგისტრირებული (1984–1986წწ) დედამიწის მიმოქცევითი დეფორმაციები	კ. ქართველიშვილი	კ. ქართველიშვილი გ. ქართველიშვილი
3	ვერტიკალურ ექსტენზო-მეტრზე მეტეოროლოგიური ფაქტორების კვლევა	კ.ქართველიშვილი	კ. ქართველიშვილი გ. ქართველიშვილი
4	საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ძლიერი ლოკალუ-რი მაგნიტური ანომალიების კვლევების შედეგების გამოყენება ბუნებრივი მაგნიტოთერაპიული კურორტის მოდელის შემოთავაზების მიზნით	კ. ქართველიშვილი	კ. ქართველიშვილი გ. ბერიშვილი ნ. მებაღიშვილი მ. ნიკოლაიშვილი

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები:

საანგარიშო პერიოდში წარმოებდა კვარცის ვერტიკალური ექსტენზომეტრით 1984-1986 წლებში თბილისში მიღებული უწყვეტი დაკვირვებითი მასალების კვლევა. ჰარმონიული ანალიზის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით განსაზღვრულია მიმოქცევითი ცხრა ძირითადი ტალღის ამპლიტუდები. ამ მონაცემებით გამოთვლილია ვერტიკალური მიმოქცევითი ფაქტორის η , გარემომცველი ქანების პუასონის კოეფიციენტის σ და ლიავას მეოთხე რიცხვის f -ის რიცხვითი მნიშვნელობები.

შესწავლილია ატმოსფერული წნევის ფლუქტუაციებით გამოწვეული ვერტიკალური ექსტენზომეტრით დარეგისტრირებული დეფორმაციები.

გრძელდებოდა კვლევები ბუნებრივი მაგნიტოთერაპიული კურორტ ურეკის და სოფ. აცანას ლოკალური ინტენსიური გეომაგნიტური ანომალიების ფაქიზი სტრუქტურის შესასწავლად; რაც მნიშვნელოვანია მაგნიტური ტერენკურების და ბუნებრივი მაგნიტოთერაპიული კურორტის მოდელის შესაქმნელად.

ამ მიზნით საანგარიშო წლის სექტემბერში ჩატარდა უახლესი მაგნიტომეტრ Geometrics -ის

გამოყენებით ექსპედიცია. დეტალურად იქნა შესწავლილი კურორტ ურეკში არსებული ოთხი ბორცვის მაგნიტური ველი (თითოეულ ბორცვზე ხუთმეტრიანი ბიჯით). განმეორებით იქნა გაზომილი ურეკში პლაჟის ზონაში სანაპიროს პარალელურად ყოველ 10 მეტრში მაგნიტური ინდუქციის სრული T ვექტორის რიცხვითი მნიშვნელობები, 0,1 ɣ-სიზუსტით, რაც აგრეთვე მნიშვნელოვანია კურორტის გეოფიზიკური პასპორტის შესადგენად.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	მყარ დედამიწაში მიმოქცევითი მოვლენების კვლევა თბილისის მიწისქვეშა ობსერვატორიაში უწყვეტი დაკვირვებებით მიღებული მონაცემების მიხედვით.	კ. ქართველიშვილი	კ. ქართველიშვილი გ. ქართველიშვილი მ. ნიკოლაიშვილი
2	საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ლოკალური მაგნიტური ანომალიების კომპლექსური კვლევა ადამიანზე მათი ზემოქმედების თვალსაზრისით.	კ. ქართველიშვილი	კ. ქართველიშვილი გ. ბერიშვილი ნ. მებაღიშვილი მ.ნიკოლაიშვილი

გეოფიზიკა მრავალდარგობრივი მეცნიერებაა, იგი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა შორის პრიორიტეტულად ითვლება. ვითარდება რა, თეორიული და ტექნიკურ-მეთოდოლოგიური თვალსაზრისით უჩვეულოდ სწრაფად, მას დედამიწის შემსწავლელ ძირითად მომავლის მეცნიერებად მიიჩნევენ. მისი ,,ყოფნა-არყოფნის“ საკითხი არსად არ ისმის, მით უმეტეს ჩვენთან არ უნდა დაისვას. აქედან გამომდინარე, ამ მეცნიერების დანაწევრება რაიმე პრინციპით არაკომპეტენტურ უწყებების, თუნდაც სასწავლო უნივერსიტეტების მიხედვით იქნება მისი დაკნინების ფაქტორი. გეოფიზიკური ველები (გრავიტაციული, მაგნიტური, მთვარისა და მზის გავლენით გამოწვეული მიმოქცევითი, დეფორმაციული და სხვ.) აისახებიან ობსერვატორიულად დაკვირვებულ მასალებში სხვადასხვა ინტენსივობითა და ნიშნით. სამწუხაროდ, ასეთი დაკვირვებები წარმოადგენენ იშვიათობას. ამ თვალსაზრისით გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქართველოში გლობალურ და ლოკალურ გეოფიზიკურ ველების შესწავლას საუკუნენახევრის ტრადიცია აქვს. ასე მაგალითად, გეომაგნიტური დაკვირვებები დაწყებულია X1X საუკუნის მეორე ნახევრიდან; მიწისძვრებზე დაკვირვებები თბილისის ფიზიკურ ობსერვატორიაში -1899 წლიდან; 1960-იანი წლებიდან კი თბილისის მიწისქვეშა საერთაშორისო მიმოქცევით ობსერვატორიაში მრავალპროფილიანი უწყვეტი გრავიმეტრიული, დახრმზომითი, ექსტეწზომეტრიული და გეოდეზიური დაკვირვებები მიმდინარეობდა. უკანასკნელი ნახევარსაუკუნოვანი ინტენსიური ობსერვატორიული მუშაობის შედეგად გეოფიზიკის ზემოთხსენებულ დარგებში მოპოვებულია მნიშვნელოვანი მოცულობის, უმთავრესად ინფორმაციული ფაქტობრივი მასალა. ასე მაგალითად, 1960-2010 წლებში თბილისის საერთაშორისო მიწისქვეშა მიმოქცევით ობსერვატორიაში მიღებულია უწყვეტი გრავიმეტრიული,

დახრმზომითი და ექსტენზომეტრული უმაღლესი ხარისხის და დონის უნიკალური დაკვირვებითი მასალები, რომელთა სრული ანალიზი და განზოგადება (თუ არ ჩავთვლით ცალკეულ საკითხებზე სტატიებისა და მონოგრაფიების სახით), როგორც გლობალური გრავიტაციული ველის ცვლილებების, ისე რეგიონალური გეოფიზიკური და გეოეკოლოგიური პრობლემატიკის მიმართულებით არ მომხდარა. გარდა ამისა, სექტორის არქივში არსებობს თბილისის ფიზიკურ ობსერვატორიაში 1899-1916 წლებში რებერ-ელერტის სამკომპონენტიანი დახრისმზომით მიღებული უწყვეტი რეგისტროგრამები, რომელთა მონაცემების შედარება და ანალიზი თანამედროვე ანალოგიურ მონაცემებთან დიდ ინტერესს იწვევს. საანგარიშო პერიოდში წარმოებდა თბილისის მიმოქცევით ობსერვატორიაში ადრეულ წლებში ვერტიკალური ექსტენზომეტრით მიღებული უწყვეტი მონიტორინგის მონაცემების კომპლექსური კვლევა; შეისწავლებოდა ატმოსფერული წნევის ლოკალური ფლუქტუაციებით გამოწვეული ექსტენზომეტრით დარეგისტრირებული დეფორმაციები. (იხ. სტატიები).

ხელოვნურ მაგნიტოთერაპიას ფართო გამოყენება აქვს მთელ მსოფლიოში. უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ჩატარებული კვლევებით დადგენილია, რომ დაბალი სიხშირის (0,1-10 ჰერცი) და დაბალი ინტენსივობის (10^{-5} - 10^{-3}ტესლა) მ აგნიტურ ველებს ფიზიოთერაპიული ეფექტი გააჩნიათ, რაც მაგნიტოთერაპიის ბაზისური, ტრადიციულ – არაინვაზიური მეთოდის საფუძველს წარმოადგენს.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დაიკვირვება გეომაგნიტური ველის, როგორც რეგიონალური, ასევე ლოკალური მაგნიტური ანომალიები. ძლიერი ლოკალური მაგნიტური ანომალიები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ გარემოზე, განსაკუთრებით ცოცხალ ორგანიზმებზე. სამეცნიერო ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროა გურიის რეგიონალურ მაგნიტურ ანომალიაში შემავალი ინტენსიური ლოკალური ანომალიების დეტალური მაგნიტური და ელექტრომეტრული კვლევა, რათა შეიქმნას სამეცნიერო საკვლევი პოლიგონი, შემუშავდეს გეომაგნიტური კვლევების სრულყოფილი მეთოდიკა, შედგენილ იქნას შესაბამისი დეტალური მაგნიტური რუკები. აღნიშნული კვლევები საშუალებას მოგვცემს დავაზუსტოთ ამ ტერიტორიაზე კოსმოსური ამინდის ძირითადი ელემენტის - გეომაგნიტური ველის ვარიაციების ლოკალური ბიოსამედიცინო ეფექტების თავისებურებები ბუნებრივი მაგნიტოთერაპიული კურორტის ბაზისური მოდელის ორგანიზების მიზნით.

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
საქართველოს რიონ-მტკვრის დეპრესიის და შავი ზღვის აღმოსავლეთ სექტორის სიღრმული გეოლოგიური 2/3D მოდელირება, გაზ-ნავთობზე პროგნოზული შეფასება გეოლოგიურ- გეოფიზიკური მეთოდებით და ღრმა ჭაბურღილების მონაცემებით.	შოთა რუსთაველის ფონდი	ღონღაძე სვეტლანა	ღონღაძე ს. ქირია ჯ. იავოლოვსკაია ო. ადიკაშვილი ლ. გამყრელიძე დ. ქირია თ.

სეისმომეტრიული მეთოდები, როგორც ცნობილია გეოფიზიკის მეთოდებს შორის ყველაზე უფრო მაღალი გეოლოგიური ეფექტიანობით ხასიათდება სტრუქტურული აგებულების და

ნივთიერი შემადგენლობის დადგენის თვალსაზრისით. Aაქედან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნიეთ გადაგვემუშავებია და ხელახალი ინტერპრეტაცია მოგვეხდინა არსებული გარდატეხილი ტალღების კორელაციის მეთოდის (გტკმ) და სიღრმითი სეისმური ზონდირების (სსზ) მასალებისა, უახლოესი მეთოდებით და კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფით, რაც საველე სამუშაოების პერიოდში არ იყო შესრულებული და ვერც იქნებოდა. ფიზიკური მოცულობით აღნიშნული მასალები ითვლის: გტკმ- 73 პროფილს, დაახლოვებით-3500კმ, ხოლო სსზ პროფილთა რაოდენოდბა უდრის ექვსს, ხოლო მათი მეტრაჟი 2000 კილომეტრამდეა. მესამე წელია, რაც სამუშაოები მიმდინარეობს.
მიმდინარე წელს შესრულდა გტკმ მასალების ტომოგრაფიული დამუშავება, ძირითადად კანადური ფირმის პროგრამული უზრუველყოფით, ხოლო კონტროლის თვალსაზრისით გამოყენებული იქნა კიდევ ორი უცხოური პროგრამა. აღნიშნულ პროფილებზე აგებულია გეომეტრიული სეისმური ჭრილები და მათ საფუძველზე სტრუქტურული რუკები ფუნდამენტის ჰორიზონტზე. ტომოგრაფიის საშუალებით აგებულია სტრუქტურული რუკები ექვს სხვადასხვა სიჩქარულ ჰორიზონტზე.
მიმდინარეობს მიღებული მასალების გეოლოგიური ინტერპრეტაცია, რაც აქ მარტივად ვერ წარმოდგინდება. მოსალოდნელია, სიღრმული გეოლოგიური აგებულების თვალსაზრისით ბევრი სიახლე, ზოგი რამ დაზუსტდება კიდეც.

II. 1. პუბლიკაციები:

სტატიები

	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ-ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენო-ბა
1	კ.ქართველიშვილი გ.ქართველიშვილი მ.ნიკოლაიშვილი	დედამიწის მიმოქცევითი დეფორმაციების შესწავლა თბილისში მ. ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტის შრომების კრებული	მზად არის გამოსაცემად ტ. LXVI-თვის	თსუ-ს გამომცემლობა	8
2	კ. ქართველიშვილი გ.ქართველიშვილი	თბილისში ვერტიკალური ექსტენზომეტრით მიღებული დეფორმაციების შედეგები მ. ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტის შრომების კრებული	მზად არის გამოსაცემად ტ. LXVI-თვის	თსუ-ს გამომცემლობა	5
3	კ.ქართველიშვილი გ.ქართველიშვილი	დაკვირვებები ატმოსფერული წნევის ცვლილებებით გამოწვეულ	მზად არის გამოსაცემად ტ. LXVI-თვის	თსუ-ს გამომცემლობა	5

		დედამიწის ზედაპირის დეფორმაციებზე მ.ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტის შრომების კრებული			

1	წარმოდგენილია კვარცის ვერტიკალური ექსტენზომეტრით თბილისში წარმოებული დაკვირვებული მასალის ჰარმონიული ანალიზის შედეგები. განსაზღვრულია ცხრა ძირითადი მიმოქცევითი ტალღის ამპლიტუდა, გამოთვლილია ვერტიკალური მიმოქცევითი ფაქტორის η, გარემომცველი ქანების პუასონის კოეფიციენტის σ და ლიავას მეოთხე რიცხვის f –ის მნიშვნელობები.
2	შესწავლილია ვერტიკალური ექსტენზომეტრით რეგისტრირებული არამიმოქცევითი დეფორმაციების კავშირი ატმოსფერული წნევის ცვლილებებთან. დადგენილია, რომ ატმოსფერული წნევის ცვლილებებით გამოწვეული დეფორმაციები შეიძლება გაიზომოს დიდი მანძილებით (500 კმ და მეტი) დაშორებულ პუნქტში. განსაზღვრულია ვერტიკალური ექსტენზომეტრის ე.წ. ბარული კოეფიციენტი. შეფასებულია ატმოსფერული წნევის ცვლილებების გავლენა მიმოქცევით ტალღებზე.
3	შესწავლილია ვერტიკალური ექსტენზომეტრით რეგისტრირებული არამიმოქცევითი დეფორმაციების კავშირი ატმოსფერული წნევის ცვლილებებთან. დადგენილია, რომ ატმოსფერული წნევის ცვლილებებით გამოწვეული დეფორმაციები შეიძლება გაიზომოს დიდი მანძილებით (500 კმ და მეტი) დაშორებულ პუნქტში. განსაზღვრულია ვერტიკალური ექსტენზომეტრის ე.წ. ბარული კოეფიციენტი. შეფასებულია ატმოსფერული წნევის ცვლილებების გავლენა მიმოქცევით ტალღებზე.

ატმოსფეროს ფიზიკის სექტორი

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: **ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი, ავთანდილ ამირანაშვილი**

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა

მეცნ. დოქტორები:ა. გველესიანი, ჯ. ხარჩილავა
მეცნ. აკად. დოქორები: ვ. ჩიხლაძე, თ. ბლიაძე, მ. დევიძე, დ. კირკიტაძე,
ნ. ჭიაბრიშვილი, ხ. ჩარგაზია, ს. ბურჯანაძე.

ა.ჭანკვეტაძე, გ.ჩხაიძე, გ.ნიკიფოროვი, ტ. ბერიშვილი, ვ. ბანეთაშვილი,
გ. ხურციძე

III.1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	საქართველოში ბუნებრივი და ანთროპოგენური ატმოსფერული მახასიათებლების და მოვლენების კვლევა უსაფრთხო ეკოსისტემების შექმნის და ეკონომიკის მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით (2014-2023 წწ.)	ა. ამირანაშვილი	გველესიანი ა., ჩიხლაძე ვ., ხარჩილავა ჯ. ბლიაძე თ., დევიძე მ., კირკიტაძე დ., ჩარგაზია ხ., ბურჯანაძე ს., ჭიაბრიშვილი ნ., ჭანკვეტაძე ა., ჩხაიძე გ., ნიკიფოროვი გ., ბერიშვილი ტ., ბანეთაშვილი ვ., ხურციძე გ.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2	ქალაქ თბილისში და საქართველოს სხვა რეგიონებში მიწისპირა ოზონის, აზოტის, გოგირდის და ნახშირბადის ჟანგეულების, აეროზოლების წონითი კონცენტრაციის, სუბმიკრონული აეროზოლების შემცველობის, მსუბუქი იონების კონცენტრაციის, სტანდარტული მეტეოროლოგიური	ა. ამირანაშვილი	ამირანაშვილი ა., ხარჩილავა ჯ. ბლიაძე თ., კირკიტაძე დ., ჩიხლაძე ვ., ჭიაბრიშვილი ნ., ჩხაიძე გ., ნიკიფოროვი გ., ბერიშვილი ტ., ბანეთაშვილი ვ., ხურციძე გ.

	პარამეტრების (ტემპერატურა, წნევა, ჰაერის ტენიანობა, ქარის სიჩქარე და მიმართულება), მზის პირდაპირი და ჯამური რადიაციის, ატმოსფეროს აეროზოლური ოპტიკური სისქის, ხილვადობის, ჰაერის ბუნებრივი რადიოაქტიურობის (რადონი და ნიადაგის გამა-გამოსხივება), ელჭექების აქტივობის, გეომაგნიტური ველის, დედამიწის მიმოქცევების, გალაქტიკური კოსმოსური სხივების ინტენსივობის კომპლექსური სტაციონარული და სამარშრუტო მონიტორინგი (გაზომვები, მონაცემების მიმდინარე ანალიზი, მონაცემების ელექტრონული ბაზა) 2014-2023 წწ.		
2015 წ. გაგრძელდა მიწისპირა ოზონის კონცენტრაციის, რადონის და მსუბუქი იონების შემცველობის, მზის პირდაპირი და ჯამური რადიაციის, სტანდარტული მეტეოროლოგიური პარამეტრების (ჰაერის ტემპერატურა და ტენიანობა, ატმოსფეროს წნევა, ქარის სიჩქარე და მიმართულება, ხილვადობა და სხვა) კომპლექსური მონიტორინგი, არსებული მონაცემების დამუშავება და ანალიზი.			

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
3	კახეთში სეტყვასთან ბრძოლის სამსახურის აღდგენა – 2015 წ. ეტაპი	ა. ამირანაშვილი	ამირანაშვილი ა., ჩიხლაძე ვ., ჩარგაზია ხ., ბანეთაშვილი ვ., ხურციძე გ., ჯავახიშვილი ნ., ცხვედიაშვილი გ.


2015 წ. 28 მაისს სამხედრო სამეცნიერო–ტექნიკურ ცენტრ „დელტა“-სთან ერთობლივად კახეთში აღდგა სეტყვასთან ბრძოლის სამსახურის ფუნქციონირება.




მეტეოროლოგიური რადიოლოკატორის „Meteor 735CDP10“ მონტაჟი ჭოტორში (სიღნაღის მუნიციპალიტეტი)




მეტეოროლოგიური რადიოლოკატორი „Meteor 735CDP10“




სეტყვასთან ბრძოლის სამსახურის საკომანდო პუნქტი (ქ. თბილისი)



სეტყვის პროცესის რადიოლოკაციური სურათი (ამრეკვლადობა) 22.07.2015.



სეტყვის პროცესის რადიოლოკაციური სურათი (სეტყვის მოსვლის ალბათობა) 22.07.2015.



სეტყვის პროცესის რადიოლოკაციური სურათი (სეტყვის ზომები) 22.07.2015.



სეტყვასაწინააღმდეგო რაკეტა SK-6



სეტყვასაწინააღმდეგო რაკეტაბი SK-6 კონტეინერებში



სეტყვასაწინააღმდეგო რაკეტების SK-6 გამშვები დანადგარი სდ-26 (სტაციონარული ვარიანტი)



სეტყვასაწინააღმდეგო რაკეტების SK-6 გამშვები დანადგარი (მობილური ვარიანტი, დროებით დამონტაჟებული ჯავშანტრანსპორტიორ „დიდგორ”-ზე)

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
4	**SK-6** ტიპის სეტყვის საწინააღმდეგო რაკეტის საექსპლუატაციო მახასიათებლები. სახელმძღვანელო-სარეკომენდაციო დოკუმენტაცია კახეთის რეგიონისათვის. 2015 წ. ეტაპი,147 გვ.	ა. ამირანაშვილი	ამირანაშვილი ა., ჩიხლაძე ვ.

ჩატარებულია SK-6 ტიპის სეტყვის საწინააღმდეგო რაკეტის საექსპლუატაციო მახასიათებლების გათვლები კახეთის რეგიონისათვის (რაკეტის მახასიათებლები, ტრასის აქტიური ნაწილის პროექციის სიგრძე H(-6)°C სხვადასხვა დონეებისათვის, სროლის ცხრილები საქ. აერონავიგაციის ზონების მიხედვით, სარაკეტო პუნქტებიდან რეაგენტის ჩათესვის ოპტიმალური ფართობები, დასაცავ ტერიტორიაზე რეაგენტის შეტანის ოპტიმალური ჰორიზონტალური პროექციების სტატისტიკური მახასიათებლები, რეაგენტის დოზირების სარეკომენდაციო ცხრილი .

გათვლები ჩატარებულია სარაკეტო პუნქტების ზღვის დონიდან 0.25, 0.35, 0.45, 0.55, 0.65, 0.75, 0.85, 0.95, 1.27, 1.39 და 1.78 კმ სიმაღლეზე განლაგებისას და გაშვების 55°, 60°, 65°, 70°, 75° და 80° ვერტიკალური კუთხით, ზღვის დონიდან 3.0-დან 6.0 კმ-დე (-6)°C იზოთერმის სიმაღლის დონეებისათვის 0,2 კმ ბიჯით (სულ 16 დონე).

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
5	ტურბულენტური კავიტაციის თეორიის მოდელის დამუშავება მათემატიკური მოდელირების გზით (ეტაპი)	გველესიანი ა.	გველესიანი ა., ბურჯანაძე ს.

შემოთავაზებულია მეზომასშტაბური გრიგალების სისტემების თეორიაში სპექტრალური ფუნქციის სიმკვრივის ხარისხის მაჩვენებლის ცვლილების დიაპაზონი ინერციულ და ბლანტ გარემოში. მოძებნილია კავიტაციის რეჟიმის გამოვლინება სითხის დინებისათვის მისი დუღილის დროს.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
6	ერთგანზომილებიანი ვერტიკალური კონვექციის მოდელირება ორფაზოვანი მრავალკომპონენტიანი დინებების სხვადასხვა გეოფიზიკურ არეებში (ეტაპი)	გველესიანი ა.	გველესიანი ა., ჭიაბრიშვილი ნ.

გამოვლენილია ბუშტოვანი დუღილის პროცესების თეორიული კონცეფციების ექსპერიმენტულ დზუსტება. კერძოდ მიღებულია ექსპერიმენტული უნივერსალური მრუდები, რომლებიც აღწერენ ბუშტოვანი (მიკრო და მაკრო ზომის) რეჟიმების ტემპერატურის ცვლილების დროის მომენტის და წყალხსნარის სიმკვრივის ტემპერატურასთან და ენტროპიასთან კავშირს. ანალოგიური მეზომასშტაბური გრიგალები აღმოჩენილია მზის და დედამიწის ზემო ატმოსფეროს ფენებში.

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ელექტრომაგნიტური ამინდის შემქმნელი უდს ტალღური სტრუქტურების გენერაცია, ინტენსიფიკაცია და ურთიერთტრანსფორმაცია წანაცვლებითი დინებებით მართულ იონოსფეროში (2013-2016)	შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. პროექტი ხორციელდება ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტსა და მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტში)	ო. ხარშილაძე	ო. ხარშილაძე, ხ. ჩარგაზია, ნ. დიხამინჯია, რ. ჭანიშვილი
თეორიულად შესწავლილია არაერთგვაროვანი ფონური ქარებით მართულ იონოსფეროში ზონალური დინების გენერაცია. მიღებულია ჩარნი-ობუხოვის ტიპის განზოგადოებული განტოლება, რომელიც აღწერს ხუთი სხვადასხვა მასშტაბის მქონე მოდების არაწრფივ ურთიერთქმედებას: პირველადი, შედარებით მოკლეტალღოვანი ულტრადაბალი სიხშირის დამაგნიტებული როსბის ტიპის ტალღა, ორი სატელიტი, გრძელტალღოვანი ზონალური მოდა და ფონური წანაცვლებითი დინება (არაერთგვაროვანი ქარი). შესწავლილია არაწრფივი (სკალარული და ვექტორული) ეფექტების როლი სასრული ამპლიტუდის მქონე დამაგნიტებული როსბის ტიპის ტალღების მიერ დიდმასშტაბიანი ზონალური დინებების ფორმირებაში დისიპაციურ იონოსფეროში. შესაბამისი განტოლებათა სისტემის თეორიული ანალიზის საფუძველზე შეშფოთებათა ამპლიტუდებისათვის (საკუთარი რიცხვებისათვის განზოგადოებული ამოცანა) გამოვლენილ იქნა შედარებით მცირე მასშტაბიანი ულტრა დაბალი სიხშირის დამაგნიტებული როსბის ტალღიდან და ფონური ქარებიდან ენერგიის დიდმასშტაბიან ზონალურ დინებებში გადაქაჩვის ახალი თავისებურებები და ხუთტალღოვანი კოლექტიური აქტივობის არაწრფივი თვითორგანიზაციის მოვლენა იონოსფერულ გარემოში. ძონალური დინების გენერაცია განპირობებულია სასრულ ამპლიტუდიანი დამაგნიტებული როსბის ტალღის რეინოლდსის ძაბვით და ფონური წანაცვლებითი დინების ზემოქმედებით.				

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2	გეო-არქეოლოგია	შოთა რუსთაველის	მარინა დევიძე	1. ქუთელია გურამ

	საქართველოში და საუკუნეებრივი გეომაგნიტური ვარიაციის მრუდის გაუმჯობესება კავკასიის რეგიონასათვის დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო	სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდი		2. ხახუტაიშვილი ნანა 3. ქამადაძე კახაბერ

არქეომაგნიტური დათარიღების ტექნიკა დღეისათვის ფართოდ გამოიყენება, როგორც არქეოლოგიური კვლების ჩვეული ინსტრუმენტი. ის მოიცავს მეთოდების მთელ რიგს და მათ შორის ყველაზე ხელსაყრელის შერჩევა დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა საკვლევი მასალის ტიპოლოგია, მდგომარეობა, ასაკი და გაზომვის სიზუსტე.

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში არქეომაგნეტიზმმა დიდ პროგრესს მიაღწია ვულკანური ლავების, არქეოლოგიური ობიექტების დათარიღების თვალსაზრისით. აბსოლუტური ასაკის დადგენის შესაძლებლობა დამოკიდებულია, ძირითადად იმაზე, თუ რამდენად შესწავლილია ამ ტერიტორიაზე დედამიწის მაგნიტური ველის ცვლილება წარსულში, აგრეთვე დეტალური და უტყუარი მრუდების არსებობაზე. დღეს ზუსტად დათარიღებულ დაუზიანებელ გამომწვარ არქეოლოგიურ ობიექტებსა და ვულკანურ ლავებზე არქეომაგნიტური და პალეომაგნიტური კვლევების ჩატარება აუცილებელია და გვეხმარება ცოდნის გაღრმავებაში ისტორიული გეომაგნიტური ველის დინამიკის შესახებ.

მოცემული პროექტის მიზანია არქეომაგნიტური კვლევების განახლება საქართველოს ტერიტორიაზე, რათა ხელი შეუწყოს კავკასიასა და ხმელთაშუაზღვის მიმდებარე ტერიტორიებისათვის უკანასკნელი 8000 წლის პერიოდისათვის საუკუნეებრივი გეომაგნიტური ვარიაციის მრუდის (GSVC) აგებას.

2015 წელს პროექტის ძირითადი ამოცანა იყო შემდეგი:

1. აჭარის და კახეთის რეგიონებში დაწყებული არქეომაგნიტური კვლევის გაგრძელება.

2. სამხრეთ საქართველოს ვულკანურ ლავებზე პალეომაგნიტური კვლევის გაგრძელება.

აჭარის რეგიონში არქეოლოგ ნ. ხახუტაიშვილის მიერ მოხდა ახალი ანტიკური მეტალურგიული ზონების აღმოჩენა, მოხდა მათი წინასწარი შესწავლა. დაგეგმილია ამ ტერიტორიაზე არა მარტო არქეომაგნიტური კვლევის ჩატარება, არამედ არქეოგეოფიზიკური კვლევებისაც, რაც საშუალებას მოგვცემს ახალი არქეოლოგიური უბნების აღმოჩენისა.

კახეთის რეგიონში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია ახალი მეტალურგიული კერები. გათხრების დამთავრების შემდეგ ავიღებთ ნიმუშებს არქეომაგნიტური დათარიღებისათვის, ხოლო მაგნიტური ინტენსიობის საკვლევად უკვე გავაგზავნეთ ნიმუშების მეხიკოს უნივერსიტეტის არქეომაგნიტურ ლაბორატორიაში, პროფ. ავთანდილ გოგიჩაიშვილი.

ჩვენი პროექტის მონაწილეთა და მეხიკოს უნივერსიტეტის მეცნიერთა მიერ უკვე დამუშავებულია ახალი 67 არქეოლოგიური ნიმუში, მიმდინარეობს ამ მონაცემების დატანა საუკუნეებრივი გეომაგნიტური ვარიაციის მრუდზე.

2013 წელს გამოქვეყნებულ შრომებში (Harvé et al, PEPI, 2013a, b) დგინდება, რომ არსებობს განსხვავება აღმოსავლეთ ევროპის გეომაგნიტური ვარიაციის მრუდებსა (თესალონიკი) და დასავლეთ ევროპის (პარიზი) გეომაგნიტური ვარიაციის მრუდებს შორის. ჩვენ აღვნიშნავდით, რომ ჩვენი ახალი კვლევები, ახალი მონაცემები და უკვე დათარიღებული არქეოლოგიური უბნების თავიდან დათარიღება არა მარტო წარმოადგენს ინსტრუმენტს GSVC დასაზუსტებლად არამედ იმისათვის, რომ შევიტანოთ ჩვენი წვლილი ამ მრუდის დაზუსტებაში რომელიც აქამდე უგულვებელყოფილი იყო მთელი კავკასიასა და ხმელთაშუაზღვის მიმდებარე ტერიტორიებისათვის. 2014 წელს გამოქვეყნებულ შრომაში: “Intensity of the geomagnetic field in Europe for the last 3 ka: Influence of data quality on geomagnetic field modeling” - AGU: Geochemistry, Geophysics, Geosystems 10.1002/2014GC005311- ევროპის გეომაგნიტური ვარიაციის მრუდებს დაემატა მესამე ახლო აღმოსავლეთის (მარი, სირია) გეომაგნიტური ვარიაციის მრუდი, რომლის 1000 კილომეტრიან რადიუსში შედის საქართველო (ნახ. 1), სადაც უკვე შესულია ჩვენს მიერ ბოლო პერიოდში (2012-2014) შესწავლილი ნიმუშები.

ახალი ახლო აღმოსავლეთის გეომაგნიტური ვარიაციის მრუდის გაუმჯობესებისათვის მეორე საანგარიშო პერიოდში ჩვენი მიზანია შევისწავლოთ ძველი წელთაღრიცხვით 1000-750 პერიოდის ნიმუშები. აუცილებელია პარალელური კვლევის ჩატარება არქეომაგნიტური დათარიღებისა და მაგნიტური პალეოდაძაბულობის ანალიზი.

ჩვენი მიზანია ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულისატვის არსებული დედამიწის მაგნიტური ველის ინტენსიობის დეტალური რეკონსტრუქცია. მნიშვნელოვანია 800 BC -ის პერიოდის ნიმუშების დეტალური შესწავლა, ინტენსიობის მრუდზე ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი დაბალი ინტენსიობის შესამოწმებლად. თუ ეს დაბალი მაგნიტური ველის ინტენსივობა დადასტურდა, ეს გულისხმობს ძალიან მაღალ საუკუნებრივი ვარიაციის ცვლილებას (~20 mT/საუკუნეში). იმავე მიზნით უნდა მოხდეს 700 BC -ის პერიოდის ნიმუშების შესწავლა რადგანაც დადასტურდეს ამ პერიოდისათვის არსებული მაღალი მაჩვენებელი.

მიმდინარეობს რამდენიმე პუბლიკაციაზე მუშაობა, როგორც საქართველოს ასევე იტალიურ ძეგლებზე.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Amiranashvili A., Chargazia Kh., Trofimenko .	Dynamics of the thirty-year moving average values of the air temperature in Tbilisi and St.-Petersburg with 1851 to 2010 and their extrapolation to 2051-2080. International Conference “Applied Ecology: Problems, Innovations”, ICAE-2015. Proceedings, Tbilisi-Batumi, Georgia, ISBN 978-9941-0-7644-2.	7-10 May, 2015	Tbilisi, 2015	5
თბილისში და სანკტ პეტერბურგში ჰაერის საშუალოწლიურ ტემპერატურაზე 100 წლიანი (1907-2006) და 163 წლიანი (1850-2012) დაკვირვების დროითი რიგების საფუძველზე ჩატარებულია მისი ცვლილების დინამიკის ანალიზი. პროგნოსტულმა გამოთვლებმა აჩვენა, რომ 2051-2080 წლებში თბილისში მოსალოდნელია -14,0 ±0,4 ^{0}C (მოდელი ARIMA) და 14,8 ± 1,4 ^{0}C (მოდელი EXPERTMODELER) 13.7 ^{0}C -ის საწინააღმდეგოდ 1980-2010 წლებში; სანკტ-პეტერბურგში - 6,4 ± 0,4 ^{0}C (ARIMA) და 8,6 ±4,0 ^{0}C (EXPERTMODELER) 5,80 ^{0}C -ის საწინააღმდეგოდ 1981-2010 წლებში. ჩატარებულია აღნიშნული შედეგების შედარებითი ანალიზი თბილისში და სანკტ-პეტერბურგში ჰაერის ტემპერატურის პროგნოსტული შეფასებების ადრეულ მონაცემებთან და აგრეთვე მის საშუალოგლობალურ მონაცემებთან.				

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

2	Bliadze T., Chikhladze V.	Preliminary results of a study of air temperature distribution in Tbilisi into summer season. International Conference “Applied Ecology: Problems, Innovations”, ICAE-2015. Proceedings, Tbilisi-Batumi, Georgia, ISBN 978-9941-0-7644-2.	7-10 May, 2015	Tbilisi, 2015	6
მოყვანილია ჰაერის ტემპერატურის რეგულარული გაზომვების შედეგები დაკვირვების ორ სტაციონარულ პუნქტზე (გეოფიზიკის ინსტიტუტის ტერიტორია-საბაზო პუნქტი, სტანდარტული მეტეოროლოგიური სადგური და კუს ტბა- სტანდარტული ავტომატური მეტეოროლოგიური სადგური) და ჰაერის ტემპერატურის ეპიზოდური გაზომვები ქალაქის სხვადასხვა რაიონის 20-30 წერტილში 2010 წლის ზაფხულში. გაზომვის წერტილები იმყოფებოდნენ ზღვის დონიდან 397 მ. - დან 648 მ. -მდე. მანძილი ამ წერტილებიდან საბაზო პუნქტამდე იცვლებოდა 0.7-დან 17,2 კმ-მდე. წარმოდგენილია ჰაერის ტემპერატურის სივრცული განაწილების რუკა. კერძოდ მიღებულია, რომ ჰაერის ტემპერატურათა სხვაობა საბაზო პუნქტსა და ქალაქის სხვადასხვა რაიონის გაზომვის წერტილებს შორის აღწევს 5 ^{0}C.				

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
3	Kharchilava J., Chikhladze V., Chargazia Kh.	Changeability of surface ozone concentration in Tbilisi in last 30 year. International Conference “Applied Ecology: Problems, Innovations”, ICAE-2015. Proceedings, Tbilisi-Batumi, Georgia, ISBN 978-9941-0-7644-2.	7-10 May, 2015	Tbilisi, 2015	7
წარმოდგენილია თბილისში მიწისპირა ოზონის კონცენტრაციაზე დაკვირვებათა საშუალოწლიური, ნახევარწლიური და თვიური მონაცემების სტატისტიკური ანალიზის ზოგიერთი შედეგი დღის 15 საათისათვის ადგილობრივი დროით 1984-დან 2013 წლამდე პერიოდში. მონაცემთა ანალიზი ხორციელდებოდა შემთხვევითი მოვლენების სტატისტიკური ანალიზის სტანდარტული მეთოდებისა და დაკვირვებათა არაშემთხვევითი დროითი რიგებისათვის მათემატიკური სტატისტიკის მეთოდების გამოყენებით. დადგენილია კორელაციური კავშირები მიწისპირა ოზონის კონცენტრაციის საშუალოწლიურ, ნახევარწლიურ და თვიურ მნიშვნელობებს შორის. შესწავლილია მიწისპირა ოზონის კონცენტრაციის საშუალოთვიური მნიშვნელობების ცვლილებების თავისებურებანი დროის სამი ათწლეულის პერიოდისათვის. განსაზღვრულია მიწისპირა ოზონის კონცენტრაციის ცვლილების ტენდენციები და მისი საშუალოწლიური (მეხუთე რიგის პოლინომი) და ნახევარწლიური(მეხუთე რიგის პოლინომი წლის ცივი პერიოდისათვის და მეექვსე რიგის პოლინომი თბილი ნახევარწლიანი პერიოდისათვის) მნიშვნელობების დროითი რიგების შემთხვევითი კომპონენტების სიდიდეები.				

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
4	ამირანაშვილი ა., ძოძუაშვილი უ., ლომთაძე ჯ., საური ი., ჩიხლაძე ვ.	სეტყვის პროცესების ზოგიერთი მახასიათებლები კახეთში. მ. ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტის შრომები	ტ. 65	თბილისი, 2015	24
სეტყვასაწინააღმდეგო სამსახურის ფუნქციონირების პერიოდისათვის წარმოდგენილია განზოგადოებული მონაცემები კახეთში სეტყვის პროცესების ისეთ მახასიათებლებზე, როგორებიცაა: სეტყვიანი დღეების რიცხვის ზოგადი სტატისტიკა, სეტყვის ინტენსივობა, სეტყვის მარცვლების ზომა, სეტყვის ხანგრძლივობა, სეტყვის პროცესების თვიური, დეკადური და დღეღამური განმეორადობა, სინოპტიკური პროცესები სეტყვის პროცესებზე აქტიური ზემოქმედების დღეებში, ნულოვანი იზოთერმის სიმაღლე, სეტყვის უჯრედების და ღრუბლების გადაადგილების სიჩქარე და მიმართულება, კონვექტიური პროცესებით დატვირთული დღეების რაოდენობის საშუალო თვიური მნიშვნელობები, სეტყვასაშიში და სეტყვის ღრუბლების რადიოლოკაციური მოდელები, სეტყვისგან მიყენებული ზარალი მუნიციპალიტეტებისა და ცალკეული დასახლებული პუნქტების სავარგულების ტერიტორიებზე, სეტყვასაწინააღდეგო რაკეტების ხარჯი აქტიური ზემოქმედების დროს.				

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
5	ამირანაშვილი ა., ძოძუაშვილი უ., ლომთაძე ჯ., საური ი., ჩიხლაძე ვ.	მეტეოროლოგიური რადარები და კახეთში ატმოსფერულ პროცესებზე აქტიური ზემოქმედების რადიოლოკაციური უზრუნველყოფა. მ. ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტის შრომები	ტ. 65	თბილისი, 2015	12
მოკლედ არის აღწერილი საქართველოს ტერიტორიაზე ატმოსფერულ პროცესებზე აქტიური ზემოქმედების ისტორია. მოყვანილია მიმოხილვითი და სპეციალიზირებული სეტყვასაწინააღმდეგო მეტეოროლოგიური რადიოლოკატორების მუშაობის პრინციპის და მუშაობის მეთოდების აღწერილობა. მოყვანილია C-დიაპაზონის თანამედროვე მეტეოროლოგიური რადარების პარამეტრების შედარება. დასაბუთებულია ატმოსფერულ პროცესებზე აქტიური ზემოქმედების რადიოლოკაციური უზრუნველყოფის და სეტყვის საწინააღმდეგო ავტომატიზირებული სისტემის შესაქმნელად თანამედროვე მეტეოროლოგიური რადიოლოკატორის არჩევანი.				

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
6	ამირანაშვილი ა., ძოძუაშვილი უ., ლომთაძე ჯ., საური ი., ჩიხლაძე ვ.	კახეთში ატმოსფერულ პროცესებზე ზემოქმედების საშუალებები.მ. ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტის შრომები.	ტ. 65	თბილისი, 2015	8
მოყვანილია მონაცემები SK-6 ტიპის სეტყვასაწინააღმდეგო რაკეტის შესახებ, რომლის გამოყენება დაგეგმილია სეტყვასთან ბრძოლის საქმეში კახეთის რეგიონში 2015 წელს. წარმოდგენილია სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტა“-ში შექმნილი ამ რაკეტების გამშვები დანადგარის საცდელი ნიმუშის მოკლე აღწერა. მოცემულია კახეთში სეტყვის პროცესებზე ზემოქმედების პუნქტების განლაგების რუკა.					

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
7	აბურჯანია გ., ხარშილაძე ო., ჩარგაზია ხ.	დიდმასშტაბიანი ზონალური დინებების გენერაცია დამაგნიტებული როსბის ტალღებით წანაცვლებითი დინებებით მართულ იონოსფეროში დისიპაციურ იონოსფეროში. მ. ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტის შრომები.	ტ. 65	თბილისი, 2015	19

ნაშრომი ეძღვნება ზონალური დინებების გენერაციის თეორიული აღწერის ამოცანას წანაცვლებითი დინებებით მართულ ტურბულენტურ იონოსფეროში. მიღებულია ჩარნი-ობუხოვის ტიპის განზოგადოებული განტოლება, რომელიც აღწერს ხუთი განსხვავებული მასშტაბების მქონე მოდების არაწრფივ ურთიერთქმედებას: პირველადი, შედარებით მოკლეტალღოვანი ულტრა დაბალი სიხშირის (უდს) დამაგნიტებული როსბის ტალღის, მისი ორი სატელიტის, გრძელტალღოვანი ზონალური დინების და დიდმაშტაბიანი ფონური წანაცვლებითი დინების (არაერთგვაროვანი ქარი). გამოკვლეულია არაწრფივი ეფექტების (ვექტორული, სკალარული) გავლენა დიდმასშტაბიანი ზონალური დინებების ფორმირებაზე სასრული ამპლიტუდის დამაგნიტებული როსბის ტალღებით დისიპაციურ იონოსფეროში. გამოყენებულია მოდიფიცირებული პარამეტრული მიდგომა. შეშფოთებათა ამპლიტუდებისათვის შესაბამის განტოლებათა სისტემის თეორიული ანალიზის საფუძველზე (საკუთარ რიცხვებზე განზოგადოებული ამოცანა) გამოვლენილია შედარებით მცირემასშტაბიანი უდს დამაგნიტებული როსბის ტალღებისა და ფინური წანაცვლებითი დინების დიდმასშტაბიან ზონალურ დინებებში ენერგიის გადაქაჩვის და ხუთი ტალღისგან შემდგარი კოლექტიური აქტივობის არაწრფივი ორგანიზაციის ახალი თავისებურებები იონოსფერულ გარემოში. ზონალური დინების გენერაცია განპირობებულია სასრული ამპლიტუდის დამაგნიტებული ღოსბის ტალღის რეინოლდსის ძაბვით და ფონური დინების ზემოქმედებით.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
8	ამირანაშვილი ა., ჩარგაზია ხ., ჩიხლაძე ვ., ჯაფარიძე ნ., ხაზარაძე ქ.	გულ-სისხლძარღვთა დაავადებით სიკვდილიანობის ყოველთვიური ვარიაციები თბილისში. საქარველოს სამედიცინო სიახლენი.	No 5 (242)	თბილისი, 2015	7

ნაშრომში წარმოდგენილია ქ. თბილისში გულ-სისხლძარღვთა დაავადებით საშუალო ყოველთვიური სიკვდილიანობის სტატისტიკური ანალიზის შედეგები 1980-1992 და 2012-2013 წლებში. განსაზღვრულია ცვლადი+ფონი და სიკვდილიანობის დროითი რიგის შემთხვევითი კომპონენტები. ცვლადი+ფონი კომპონენტის საშუალო მნიშვნელობის წილი სიკვდილიანობის მაჩვენებელში შეადგენს 68,4% (1980-1992 წწ.) და 73,4% (2012-2013 წწ.); შემთხვევითი კომპონენტის ცვლილება და მისი წვლილი სიკვდილიანობის რეალურ მნიშვნელობაში - 31,6% (1980-1992 წწ.), 26,6% (2012-2013 წწ.), ჰაერის ტემპერატურის გარდა შეიძლება დამოკიდებული იყოს მრავალ მეტეოროლოგიურ, გეოფიზიკურ, სოციალურ და სხვა ფაქტორზე. შემოთავაზებულია გულ-სისხლ-ძარღვთა დაავადებით სიკვდილიანობის სკალა, რომელიც შედგება ექვსი დონისგან. წელიწადის სხვადასხვა თვისთვის სიკვდილიანობის აღნიშნული დონეები განსხვავებულია.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
9	სტანკევიჩი ს., თიტარენკო ო., ა. ამირანაშვილი ა., ჩარგაზია ხ.	ოზონის შემცველობის განაწილების მოდელირება ქვედა ტროპოსფეროში საქართველოს ტერიტორიაზე	ტ. 9, № 2	თბილისი, 2015	5

		სატელიტური და მიწისპირა მონაცემების გამოყენებით. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე.			
ატმოსფეროში ოზონის შემცველობის მონაცემები საჭიროა ამინდის ცვლილებების შესწავლის, ეკოლოგიური შეფასებებისათვის და ა.შ. ხშირ შემთხვევებში აუცილებელია ინფორმაცია ტროპოსფეროში ოზონის შემცველობის შესახებ დიდი რეგიონების ან კონტინენტების ზემოთ. დღეისათვის მსოფლიოში არსებობს ატმოსფერული პარამეტრების რამდენიმე თანამგზავრული სისტემა, მათ შორის, ოზონის ოპერატიული გლობალური შემოწმებისათვის. შატელიტური გაზომვების შედარებით დაბალი სიზუსტე შეიძლება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს ხმელეთზე გაზომვების მონაცემებით. წინამდებარე ნაშრომში მოცემულია გარკვეული შედეგები საქართველოს ტერიტორიის ზემოთ ატმოსფეროს 2,5 კმ. ფენაში ოზონის საშუალო შემცველობის შესახებ, სატელიტური მონაცემებისა და თბილისის სახმელეთო გაზომვების მიხედვით.					

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
10	სტანკევიჩი ს., თიტარენკო ო., ა. ამირანაშვილი ა., ჩარგაზია ხ.	ატმოსფერული აეროზოლების ოპტიკური სიღრმის განსაზღვრა საქართველოს ტერიტორიაზე ღრუბლიანობის სხვადასხვა რეჟიმის დროს სატელიტური და მიწისპირა დაკვირვებების მონაცემების გამოყენებით. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე.	ტ. 9, № 3	თბილისი, 2015	7
ატმოსფერული აეროზოლების ოპტიკური სიღრმე (აოს) წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პარამეტრს, რომელიც ახასიათებს ატმოსფერული ფენის აეროზოლებით დაჭუჭყიანებას. აღნიშნულ ნაშრომში წარმოდგენილია აოს განაწილების მოდელირების ზოგიერთი შედეგი საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის ღრუბლიანობის დროს სატელიტური და მიწისპირა დაკვირვებების მონაცემების კომბინირებული ანალიზის ადრე შემოთავაზებული მეთოდოლოგიით ქ. თბილისში. კერძოდ, მიღებულია, რომ აოს მნიშვნელობა ეთანადება სრული ღრუბლიანობის მნიშვნელობას. იმ ტერიტორიაზე, რომელიც ხასიათდება ღრუბლიანობის ზრდით, აოს მნიშვნელობაც იზრდება.განსხვავებით თბილისისა, სადაც დაიმზირება ძლიერი აეროზოლური დაჭუჭყიანება, აოს მნიშვნელობა მცირედით განსხვავდება სხვა ქალაქებთან (ქუთაისი, ბათუმი) შედარებით და ნაკლებია გაზრდილი ღრუბლიანობის დროს. უღრუბლო დღეებში დაიმზირება აოს მნიშვნელობის შემცირება ჰაერის ძირითადი დაბინძურების წყაროდან – თბილისიდან მანძილის ზრდასთან ერთად.			

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
11	გველესიანი ა.	სხვადასხვა ფიზიკური არეების რობებში მიმდინარე ვერტიკალური კონვექციის დელირების შესახებ ხეების ბუშტოვანი დუღილის. საქართველოს გეოფიზიკური საზოგადოების ჟურნალი, სერია ბ. ოსფეროს, ოკეანისა და კოსმოსური პლაზმის ფიზიკა ორიგინალური ლაბორატორიული ოდის გამოყენებით.	ტ. 18 ბ.	თბილისი, 2015	10

ბუნებრივი კონვექციის ექსპერიმენტული მოდელირება შემოთავაზებული სითხის ბუშტოვანი დუღილის ორიგინალური მეთოდით, დაწყებული და განვითარებული ავტორების [1, 2] სტატიებში, საშუალებას იძლევა ნებისმიერი წყალხსნარისათვის აიგოს სათანადო უნივერსალური ექსპერიმენტული, T(t) და ΔS(T), მრუდები. მიღებულია ოფტიმალური შეფარდებები სითხის მოცულობასა და მიწოდებული სითბური ნაკადის ინტენსივობას შორის. ყურადღებით ფიქსირდება ბუშტების გამოჩენის მომენტი – ნიშანი ბუშტოვანი დუღილის რეჟიმისა. მიღებული მრუდები გვიჩვენებენ უწყვეტობის მეორე გვარის წყვეტის ორ-ორ წერტილებს (40 ^{0}C – 80 ^{0}C)-ინტერვალში საწყისი ტემპერატურის, T_0, და ინტენსიური დუღილის ტემპერატურის, თ = 100 ^{0}C, შორის. მიღებული მრუდები და ცხრილები იძლევა საკმაოდ სრულ ინფორმაციას სითხის კინეტიკური თეორიის პოზიციებიდან განხილვისათვის. პირველადაა გამოვლენილი სითხის ბუშტოვანი დუღილის რეჟიმის ცვლილების მომენტების დადგენაში ენტროპიის განსაკუთრებული გადამწყვეტი როლი. კვლავ უნდა აღინიშნოს სიმარტივე და სიიაფე შემოთავაზებული ლაბორატორიული კვლევის მეთოდისა.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
12	გველესიანი ა., ჭიაბრიშვილი ნ.	ქალაქ თბილისის და საქართველოს სხვა რეგიონების ბუნებრივი წყლების ძირითადი თერმოდინამიკური პარამეტრების გამოკვლევა ბუშტოვანი დუღილის მეთოდით:	ტ. 18 ბ.	თბილისი, 2015	12

		ბუშტოვანი დუღილის ახალი მეთოდი. საქართველოს გეოფიზიკური საზოგადოების ჟურნალი, სერია ბ. ატმოსფეროს, ოკეანისა და კოსმოსური პლაზმის ფიზიკა.			
ბუშტოვანი დუღილის მეთოდი საშუალებას იძლევა ნებისმიერი წყალხსნარისათვის აიგოს სათანადო უნივერსალური ექსპერიმენტული T(t) და ΔS(T) მრუდები. მიღებული შედეგები გვიჩვენებენ მრუდებზე მეორე გვარის წყვეტის ორ-ორ წერტილს.					

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
13	ჩარგაზია ხ., ხარშილაძე ო.	Zonal Flow and Stremaer Generation by Small – Scale Drift-Alfven Waves in Ionosphere Plasma / Journal of Georgian Geophysical Society, Issue B – Physics of Atmosphere and Ocean.	ტ. 18 ბ.	თბილისი, 2015	14
შესწავლილია ზონალური დინებების, სტრიმერებისა და კოჰერენტული სტრუქტურების გენერაცია მოდულაციურად არამდგრადი მცირე მასშტაბიანი დრეიფული ალფენის ტალღების მიერ. ნაჩვენებია, რომ აღნიშნული ტალღური სტრუქტურების გენერაცია ძლიერად არის დამოკიდებული მცირე მასშტაბიანი დრეიფული ალფენის ტალღების მიმართულებაზე.					

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
14	აბურჯანია გ., ჩარგაზია ხ., ხარშილაძე ო.	Generation of the large scale zonal flows by magnetized Rossby Waves in the dissipative ionosphere driven by the shear flows (winds) // Journal of Georgian Geophysics Society	ტ. 18 ბ.	თბილისი, 2015	18
თეორიულად შესწავლილია არაერთგვაროვანი ფონური ქარებით მართულ იონოსფეროში ზონალური					

დინების გენერაცია. მიღებულია ჩარნი-ობუხოვის ტიპის განზოგადოებული განტოლება, რომელიც აღწერს ხუთი სხვადასხვა მასშტაბის მქონე მოდების არაწრფივ ურთიერთქმედებას: პირველადი, შედარებით მოკლეტალღოვანი ულტრადაბალი სიხშირის დამაგნიტებული როსბის ტიპის ტალღა, ორი სატელიტი, გრძელტალღოვანი ზონალური მოდა და ფონური წანაცვლებითი დინება (არაერთგვაროვანი ქარი). შესწავლილია არაწრფივი (სკალარული და ვექტორული) ეფექტების როლი სასრული ამპლიტუდის მქონე დამაგნიტებული როსბის ტიპის ტალღების მიერ დიდმასშტაბიანი ზონალური დინებების ფორმირებაში დისიპაციურ იონოსფეროში. შესაბამისი განტოლებათა სისტემის თეორიული ანალიზის საფუძველზე შეშფოთებათა ამპლიტუდებისათვის (საკუთარი რიცხვებისათვის განზოგადოებული ამოცანა) გამოვლენილ იქნა შედარებით მცირე მასშტაბიანი ულტრა დაბალი სიხშირის დამაგნიტებული როსბის ტალღიდან და ფონური ქარებიდან ენერგიის დიდმასშტაბიან ზონალურ დინებებში გადაქაჩვის ახალი თავისებურებები და ხუთტალღოვანი კოლექტიური აქტივობის არაწრფივი თვითორგანიზაციის მოვლენა იონოსფერულ გარემოში. ზონალური დინების გენერაცია განპირობებულია სასრულ ამპლიტუდიანი დამაგნიტებული როსბის ტალღის რეინოლდსის ძაბვით და ფონური წანაცვლებითი დინების ზემოქმედებით.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
15	ამირანაშვილი ა.	თბილისში დღიური ჯამური ნალექების ცვალებადობის თავისებურებანი 1957-2006 წლებში.	საქართველოს გეოფიზიკური საზოგადოების ჟურნალი, სერია ბ. ატმოსფეროს, ოკეანისა და კოსმოსური პლაზმის ფიზიკა, ტ. 18ბ.	თბილისი, 2015	9

საქართველოს კლიმატის თანამედროვე ცვლილებების ფართომასშტაბური შესწავლა დაიწყო 1996 წელს და გრძელდება დღემდე. უპირველეს ყოვლისა ჩატარდა საქართველოში სათბური გაზების ინვენტარიზაცია, გამოკვლეულ იქნა ჰაერის ტემპერატურის, ნალექების, ღრუბლიანობის, ატმოსფერული ჰაერის აეროზოლური დაბინძურების, ზედაპირული საფარის და სხვა კლიმატწარმომქმნელი ფაქტორების ველების სივრცულ-დროითი ვარიაციები. მოგვიანებით დაიწყო სამუშაოები საქართველოს სხვადასხვა რაიონში ჰაერის ტემპერატურისა და ნალექების ცვლილებების პროგნოზირებისათვის. კერძოდ, თბილისში 1957-2006 წლების პერიოდში ჯამური ნალექების საშუალო ნახევარწლიური და წლიური მნიშვნელობების დეტალური სტატისტიკური ანალიზის შედეგები იყო წარმოდგენილი ადრეულ ნაშრომებში. დროის აღნიშნულ პერიოდში დაიკვირვებოდა ნალექების სუსტი დადებითი ტრენდი წლის ცივ პერიოდში. ნალექების ცვალებადობა წლის თბილ პერიოდში არ შეიმჩნეოდა. წლიური მონაცემებით შეიმჩნეოდა ნალექების მატების სუსტი ტენდენცია. მოცემულ ნაშრომში, რომელიც წარმოადგენს ადრინდელი გამოკვლევების გაგრძელებას, მოცემულია საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური დეპარტამენტის თბილისში დღიურ ჯამურ ნალექებზე დაკვირვებათა მონაცემების სტანდარტული სტატისტიკური ანალიზის ზოგიერთი შედეგი 1957-2006 წლებისათვის. კერძოდ, შესწავლილია ატმოსფერული ნალექების სტატისტიკური სტრუქტურა 0.1-2, 2,1-5, 5,1-15, 15,1-30 და >30 მმ დღიური ინტენსივობით და ნალექიანი და უნალექო დღეების წლიური რაოდენობა ათი ხუთწლიანი დროითი ინტერვალისათვის 1957-1961, 1962-1966, ...2002-2006 წლებამდე. დღიური ჯამური ნალექების სუსტი ზრდა და დადებითი ტრენდი დაიკვირვებოდა 5,1-15 და 15,1-30 დიაპაზონებისათვის შესაბამისად. სუსტი შემცირება და უარყოფითი ტრენდი დაიკვირვებოდა, შესაბამისად 0,1-2 და 2,1-5 დიაპაზონებისათვის. დღიური ჯამური ნალექების ცვალებადობა დროში ინტენსივობით >30 არ დაიკვირვებოდა.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
16	მელიქაძე გ., ჯიმშელაძე თ.,	მიწისძვრის მომზადების პერიოდში	საქართველოს გეოფიზიკური	თბილისი, 2015	10

	კობზევი გ., ჩანკვეტაძე ა., დევიძე მ., კაპანაძე ნ.	დედამიწის გეოდინამიურ ველში დარღვევების გამოვლენის მეთოდიკა	საზოგადოების ჟურნალი, სერია ბ. ოსფეროს, ოკეანისა და კოსმოსური პლაზმის ფიზიკა, ტ. 18ა.		
წარმოდგენილია მიწისძვრის მომზადების პერიოდში დედამიწის გეოდინამიურ ველში დარღვევების გამოვლენის მეთოდიკა.					

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
17	ჩარგაზია ხ., ხარშილაძე ო., ჯ. როგავა	Theoretical Analysis and Numerical Simulation of Nonlinear Dynamic Equations in the Shear Flow driven dissipative ionosphere // Proceedings of TICSAM – 2015, 2015 Internationa Conference on Computer Science and Aplied athematics		თბილისი, 2015	28
განხილულია ულტრადაბალი სიხშირის ელექტრომაგნიტური ჩქარი მოდის ყრთიერთქმედება დაბალსიხშირულ მოდულირებულ როსბის მოდასთან იონოსფეროში წანაცვლებითი (არაერთგვაროვანი) პლაზმური დინების პირობებში. როსბის მოდების ტალღური პაკეტი წარმოადგენს მსხვილმაშტაბიანი გრიგალური სტრუქტურების საფუძველს და იძლევა იონოსფეროში გრიგალების გენერაციის ფიზიკურ მოდელს. ფონური წანაცვლებითი დინებების პირობებში როსბის გრიგალური სტრუქტურების ურთიერთქმედება ულტრადაბალი სიხშირის ჩქარ ელექტრომაგნიტურ მოდასთან დაიყვანება ამ ჩქარი მოდის როსბის მოდასთან ურთიერთქმედებაზე მათი ბმის პირობებში. შესწავლილია ფონური დინების როლი ამ ტალღების ბმის მექანიზმში.					

II. 2. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Amiranashvili A., Chargazia Kh., Matzarakis A.,	Tourism climate index in the coastal and mountain	14-16 May,2015	Borovets, Bulgaria	7

	Kartvelishvili L.	locality of Adjara, Georgia. International Scientific Conference “Sustainable Mountain Regions: Make Them Work”. Proceedings, Borovets, Bulgaria, ISBN 978-954-411-220-2			
განსაზღვრულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის (საქართველოს ცნობილი საკურორტო და ტურისტული რეგიონი) ოთხი სანაპირო და მთაგორიანი ადგილის ტურიზმის კლიმატური ინდექსის (ტკი) მნიშვნელობები - ბათუმი: 9 მეტრი ზღვის დონიდან; ქობულეთი: 3 მეტრი ზღვის დონიდან, მანძილი ბათუმიდან - 23 კმ შავი ზღვის სანაპირო ზოლის გასწვრივ; ხულო: 921 მეტრი ზღვის დონიდან, მანძილი ბათუმიდან - 73 კმ. აღნიშნული დასახლებული პუნქტებისთვის გამოთვლილია ტურიზმის კლიმატური ინდექსის საშუალოთვიური მნიშვნელობები 1961 წლიდან 2010 წლამდე პერიოდისათვის. გამოვლენილია არსებითი სხვაობა ტურიზმის კლიმატური ინდექსის მნიშვნელობებს შორის ადგილის რელიეფის მიხედვით. შესწავლილია ტურიზმის კლიმატური ინდექსის მნიშვნელობების ვარიაციები აღნიშნულ პერიოდში კლიმატის ცვლილებასთან კავშირში. განსაზღვრულია ტურიზმის სხვადასხვა ფორმებისთვის წლის ყველაზე კეთილსაიმედო პერიოდები ადგილის ბიოკლიმატური მახასიათებლების ასპექტში (პლაჟის ტურიზმი, ეკოტურიზმი, დაკვირვება ფრინველებზე, სპორტული ტურიზმი, სასოფლოსამეურნეო ტურიზმი, საკრუიზო ტურიზმი, ღვინის ტურიზმი, სამთო სათხილამურო ტურიზმი, საქმიანი ტურიზმი, სათამაშო ტურიზმი და სხვა).					

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2	Amiranashvili A.G.	Increasing Public Awareness of Different Types of Geophysical Catastrophes, Possibilities of Their Initiation as a Result of Terrorist Activity, Methods of Protection and Fight With Their Negative Consequences. Engaging the Public to Fight Consequences of Terrorism and Disasters.NATO Science for Peace and Security Series E: Human and Societal Dynamics.	vol. 120	IOS Press, Amsterdam· Berlin·Tokyo· Washington, DC, ISSN 1874-6276, 2015	10
გადმოცემულია ზოგადი ინფორმაცია სტიქიურ უბედურებებზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სხვადასხვა ტიპის გეოფიზიკური კატასტროფების აღწერას (მათ შორის საქართველოში), სამხედრო მიზნებისათვის მათი ხელოვნური ინიცირების შესაძლებლობებს, მათი თავიდან აცილებისა ზომებსა და ადამიანის საარსებო გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების შემცირების მეთოდებს.					

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
3	Амиранашвили А.Г., Глонти Н.Я., Дзодзуашвили У.В., Ломтадзе Дж.Д., Чихладзе В.А.	О восстановлении службы борьбы с градом в Кахетинском регионе Грузии. Доклады Всероссийской конференции по физике облаков и активным воздействиям на гидрометеорологические процессы. 7-9 октября 2014 г., часть 2, ФГБУ «Высокогорный Геофизический Институт».		Нальчик, 2015	8
წარმოდგენილია ინფორმაცია კახეთში სეტყვასაწინააღმდეგო სამსახურის აღდგენისათვის საჭირო მოსალოდნელი სამუშაოების შესახებ.					

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
4	Аджиев А.Х., Амиранашвили А.Г., Чаргазиа Х.З.	Влияние аэрозольного загрязнения атмосферы на эффективность противоградовых работ в Кахетии и на Северном Кавказе. Доклады Всероссийской конференции по физике облаков и активным воздействиям на гидрометеорологические процессы., 7-9 октября 2014 г., часть 2, ФГБУ «Высокогорный Геофизический Институт».		Нальчик, 2015	9
ნაჩვენებია, რომ კახეთში (საქართველო) და ჩრდილოეთ კავკასიაში (რუსეთი) 1968-დან 1988 წლამდე დაიკვირვებოდა სეტყვასაწინააღმდეგო სამუშაოების ეფექტურობის შემცირება, რომელიც გამოწვეული იყო ატმოსფეროში აეროზოლური დაბინძურების საერთო შემცველობის გაზრდით. კახეთში ეს ეფექტი ძირითადად დაკავშირებული იყო ატმოსფეროს დაბინძურების მატების ტენდენციასთან, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიაში- ატმოსფეროს საერთო აეროზოლური დაბინძურების შემთხვევით ვარიაციებთან.					

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
5	ჩარგაზია ხ., ხარშილაძე ო.	Background Non-Uniform Wind Effect on Large Scale Zonal	10	ნანტი, საფრანგეთი	2

		Flow Generation by ULF Modes. EPSC Abstracts. EPSC2015-357			
თეორიულად შესწავლილია არაერთგვაროვანი ფონური ქარებით მართულ იონოსფეროში ზონალური დინების გენერაცია. შესაბამისი განტოლებათა სისტემის თეორიული ანალიზის საფუძველზე შეშფოთებათა ამპლიტუდებისათვის (საკუთარი რიცხვებისათვის განზოგადოებული ამოცანა) გამოვლენილ იქნა შედარებით მცირე მასშტაბიანი ულტრა დაბალი სიხშირის დამაგნიტებული როსბის ტალღიდან და ფონური ქარებიდან ენერგიის დიდმასშტაბიან ზონალურ დინებებში გადაქაჩვის თავისებურებები იონოსფერულ გარემოში.					

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
6	ჩარგაზია ხ., ხარშილაძე ო.	Investigation of the Strong Turbulence in the Geospace Environment // Advances in Radio Sciences.	11	გიოტინგენი, გერმანია	14
მაგნიტოსფერულ პლაზმაში შესწავლილია გრიგალური სტრუქტურები, რომლებიც ხშირად დაიმზირება ტანამგზავრული მისიებით რეალურ გარემოში.დიდმაშტაბიანი გრიგალები შეესაბამება ტურბულენტობის მასშტაბს, ამიტომ მათი წარმოშობის გააზრება წარმოადგენს მნიშვნელოვან ამოცანას ენერგიის ურთიერთგაცვლის პროცესების გამოსაკვლევად. ამ მიზნით რეალურ მონაცემებზე დაყრდნობით მაგნიტოსფეროს კუდში გამოვლენილია ძლიერად ლოკალიზებული გრიგალების ერთობლიობა, მათ მიერ ტურბულენტური მდგომარეობის ჩამოყალიბება. აღნიშნული სტრუქტურებისათვის შეფასებულია სიმძლავრის სპექტრები, რომელიც წარმოადგენს გრიგალური სტრუქტურების კარგ მახასიათებელს.					

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ჩარგაზია ხ., ხარშილაძე ო.	ფონური ქარის გავლენა უდს მოდების მიერ დიდმასშტაბიანი ზონალური ქარის გენერაციაზე	საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის საერთაშორისო კონფერენცია // ბათუმი, საქართველო 12-16 ივლისი, 2015.
შესწავლილია არაერთგვაროვანი ფონური ქარებით მართულ იონოსფეროში ზონალური დინების გენერაცია. შესწავლილია არაწრფივი (სკალარული და ვექტორული) ეფექტების როლი სასრული ამპლიტუდის მქონე ულტრა დაბალი სიხშირის (უდს) მოდების მიერ დიდმასშტაბიანი ზონალური დინებების ფორმირებაში დისიპაციურ იონოსფეროში. შესაბამისი განტოლებათა სისტემის თეორიული ანალიზის საფუძველზე შეშფოთებათა ამპლიტუდებისათვის (საკუთარი რიცხვებისათვის განზოგადოებული ამოცანა) გამოვლენილ იქნა შედარებით მცირე მასშტაბიანი უდს ტალღიდან და ფონური ქარებიდან ენერგიის დიდმასშტაბიან ზონალურ დინებებში გადაქაჩვის თავისებურებები. ნაჩვენებია, რომ ზონალური დინების გენერაცია განპირობებულია სასრულ ამპლიტუდიანი დამაგნიტებული როსბის ტალღის რეინოლდსის ძაბვით და ფონური წანაცვლებითი დინების ზემოქმედებით.			

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
2	ჩარგაზია ხ., ხარშილაძე ო.	წანაცვლებითი დინების გავლენა უდს ტალღების მიერ დიდმასშტაბიანი ზონალური მოძრაობების წარმოშობაზე.	საქართველოს მექანიკოსთა კავშირის VI ყოველწლიური საერთაშორისო // 29.09 – 04.10 2015, თბილისი, საქართველო.

შესწავლილია არაერთგვაროვანი წანაცვლებითი დინებებით განპირობებულ იონოსფეროში ზონალური დინების წარმოშობა. შესაბამისი განტოლებათა სისტემის თეორიული ანალიზის საფუძველზე შეშფოთებათა ამპლიტუდებისათვის (საკუთარი რიცხვებისათვის განზოგადოებული ამოცანა) გამოვლენილ იქნა შედარებით მცირე მასშტაბიანი უდს ტალღიდან და წანაცვლებიტი დინებებიდან ენერგიის დიდმასშტაბიან ზონალურ მოძრაობებში გადაქაჩვის თავისებურებები.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
3	ჩარგაზია ხ., ხარშილაძე ო., როგავა ჯ.	არაწრფივი დინამიკური განტოლებების თეორიული ანალიზი და რიცხვითი სიმულაცია წანაცვლებითი დინებით განპირობებულ დისიპაციურ იონოსფეროში	თIჩშ – 2015, 2015 კომპიუტერულ მეცნიერებებსა და გამოყენებით მათემატიკაში საერთაშორისო კონფერენცია // 21-23 მარტი, Tbilisi, Georgia.

დისიპაციურ იონოსფეროში ზონალურ წანაცვლებით დინებებში ეფექტურია არამოდალური მიდგომა. არამოდალური მიდგომით შესწავლილია პლანეტარული მასშტაბის როსბის ტალღებისა და უდს ჩქარი ტალღების ინდუცირებული წრფივი კავშირის არაორთოგონალურობა. ნაჩვენებია, რომ ამ კავშირის გამო გენერირდებიან უდს ელექტრო მაგნიტური ტალღები იონოსფერული და წანაცვლებითი დინებების პარამეტრების საკმაოდ ფართე დიაპაზონისათვის.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
4	ჩარგაზია ხ., ხარშილაძე ო., ჭანიშვილი რ.	ზონალური დინებებისა დიდმასშტაბიანი მაგნიტური ველების არაწრფივი გენერაცია უდს ტალღების მიერ და ამ ტალღების ურთიერთ ტრანსფორმაცია იონოსფეროში, სატელიტური მონაცემების ანალიზი	მესამე საერთაშორისო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი // იანვარი 29 – თებერვალი 2. თბილისი, საქართველო

თეორიულად შესწავლილია ტურბულენტურ არაერთგვაროვანი ფონური ქარებით მართულ იონოსფეროში ზონალური დინებისა და მაგნიტური ველების არაწრფივი გენერაცია. შესწავლილია არაწრფივი (სკალარული და ვექტორული) ეფექტების როლი სასრული ამპლიტუდის მქონე დამაგნიტებული ტალღების მიერ დიდმასშტაბიანი ზონალური დინებებისა და მაგნიტური ველების ფორმირებაში დისიპაციურ იონოსფეროში. გამოყენებულ იქნა მოდიფიცირებული პარამეტრული მოდგომა. გამოკვლეულია უდს ტალრების უღტიერთტრანსფორმაციის ამოცანა ცანაცვლებითი დინებებით განპირობებულ იონოსფეროში. ცატარებულ იქნა რეალურ სატელიტურ მონაცემთა ანალიზი.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
5	ჩარგაზია ხ., ხარშილაძე ო.,	ფრიქციული ავტორხევები მიწისძვრის მარტივ მოდელებში	თბილისის სამეცნიერო ფესტივალი მათემატიკისა და ინფორმატიკის გამოყენება

			საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და ინჟინერიაში // თბილისი საქართველო, ნოემბერი 11 – 13, 2015

სეისმური პროცესების მოდელირების მიზნით განხილულია ტექტონიკური ფილების მოძრაობის დინამიკა ხახუნის ძალის შტრიბეკ-ეფექტის გათვალისწინებით. მარტივი ერთბლოკიანი სისტემის ჰაიკინის ამოცანაში ბლოკის დაბალი სიჩქარეებისათვის მიღებულია ვანდერპოლის განტოლება, რომელიც აღწერს ფრიქციულ ავტორხევებს. ამ მოდელში ნაჩვენებია „stick-slip“ დინამის არსებობა, რომლის შესწავლა აქტუალურია მიწისძვრის პროცესების შესაძლო მექანიზმის გამოსავლენად. განხილულია ორი ბმული ვანდერპოლის ოსცილატორის დინამიკა, რომელშიც გარე პერიოდული ძალის არსებობისას დაბალსიხშირული პერიოდული „ტექტონიკური“ სიგნალის ფონზე გამოვლენილია მაღალსიხშირული „სეისმური“ რხევები. ასეთი სიგნალები მიღებულია რეალური სეისმური გაფილტრული სიგნალებიდან, რაც გვიჩვენებს მოდელის კარგ თვისობრივ თანხვედრას რეალურ სეისმურ დაკვირვებებთან. რიცხვითი მეთოდების გამოყენებით ასევე შესწავლილია ერთი და ორ-ბლოკიანი სისტემების არაწრფივი დინამიკა მშრალი ხახუნის სხვადასხვა ანალიზური მოდელის საშუალებით სიჩქარის შეზღუდვის გარეშე და ნაჩვენებია როგორც „stick-slip“ მოძრაობის, ასევე დეტერმინირებული ქაოსის შესაძლებლობა შტრიბეკ-ეფექტის გათვალისწინებით. რეგულარული და ქაოსური მოძრაობები თვისობრივად შესწავლილია მოდელში მიღებული სიგნალების სპექტრალური ანალიზით, ბიფურკაციული დიაგრამებით და ფაზური ტრაექტორიების პუანკარეს კვეთების აგებით. დეტერმინირებული ქაოსის არსებობა ასეთ მარტივ მოდელებშიც პრობლემურს ხდის მიწისძვრის პროგნოზირებას, მაგრამ იძლევა პროცესის ფიზიკურ სურათს.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
6	ამირანაშვილი ა., ჩარგაზია ხ., ტროფიმენკო ლ.	სანკტ-პეტერბურგსა და თბილისში ოცდაათ წლიანი მორბენალი საშუალო ტემპერატურის დინამიკა 1851-დან 2010-მდე და მათი ექსტრაპოლაცია 2051-2080	ICAE – 2015 საერთაშორისო კონფერენცია გამოყენებითი ეკოლოგია: პრობლემები, ინოვაციები // 7-10 მაისი, თბილისი - ბათუმი, საქართველო

ბოლო წლებში მიმდინარე კლმატის სწრაფი ცვლილება ჩვენს პლანეტაზე იპყრობს განსაკუთრებულ ყურადღებას. ამ პრობლემას დიდი მნიშვნლობა ენიჭება, რადგანაც მისი ტერიორია უხვია კლიმატის მრავალფეროვნებით და ასევეა რუსეთიც თავისი კლიმატური პირობებით. სხვადასხვა სტატისტიკური მოდელების გამოყენებით გამოკვლეულია თბილისისათვის და საქართველოს სხვა რეგიონებისთვის ჰაერის ტემპერატურის მოსალოდნელი ცვლილებების. ჩატარებულია 100 წლიანი (1907-2006) და 163 (1850-2012) წლიანი დაკვირვებების მონაცემების დროითი მასივების ბაზაზე საშუალო წლიური ტემპერატურის ცვალებადობის დინამიკის ანალიზი თბილისისა და სანკტ-პეტერბურგისათვის.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
7	Bliadze T., Chikhladze V.	Preliminary results of a study of air temperature distribution in Tbilisi into summer season.	ICAE – 2015 საერთაშორისო კონფერენცია გამოყენებითი ეკოლოგია: პრობლემები, ინოვაციები // 7-10 მაისი, თბილისი - ბათუმი, საქართველო

მოყვანილია ჰაერის ტემპერატურის რეგულარული გაზომვების შედეგები დაკვირვების ორ სტაციონარულ პუნქტზე (გეოფიზიკის ინსტიტუტის ტერიტორია-საბაზო პუნქტი, სტანდარტული მეტეოროლოგიური სადგური და კუს ტბა- სტანდარტული ავტომატური მეტეოროლოგიური სადგური) და ჰაერის ტემპერატურის ეპიზოდური გაზომვები ქალაქის სხვადასხვა რაიონის 20-30 წერტილში 2010 წლის ზაფხულში. გაზომვის წერტილები იმყოფებოდნენ ზღვის დონიდან 397 მ. - დან 648 მ. -მდე. მანძილი ამ წერტილებიდან საბაზო პუნქტამდე იცვლებოდა 0.7-დან 17,2 კმ-მდე. წარმოდგენილია ჰაერის

ტემპერატურის სივრცული განაწილების რუკა. კერძოდ მიღებულია, რომ ჰაერის ტემპერატურათა სხვაობა საბაზო პუნქტსა და ქალაქის სხვადასხვა რაიონის გაზომვის წერტილებს შორის აღწევს 5 ^{0}C.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
8	Kharchilava J., Chikhladze V., Chargazia Kh.	Changeability of surface ozone concentration in Tbilisi in last 30 year.	ICAE – 2015 საერთაშორისო კონფერენცია გამოყენებითი ეკოლოგია: პრობლემები, ინოვაციები // 7-10 მაისი, თბილისი - ბათუმი, საქართველო

წარმოდგენილია თბილისში მიწისპირა ოზონის კონცენტრაციაზე დაკვირვებათა საშუალოწლიური, ნახევარწლიური და თვიური მონაცემების სტატისტიკური ანალიზის ზოგიერთი შედეგი დღის 15 საათისათვის ადგილობრივი დროით 1984-დან 2013 წლამდე პერიოდში. მონაცემთა ანალიზი ხორციელდებოდა შემთხვევითი მოვლენების სტატისტიკური ანალიზის სტანდარტული მეთოდებისა და დაკვირვებათა არაშემთხვევითი დროითი რიგებისათვის მათემატიკური სტატისტიკის მეთოდების გამოყენებით. დადგენილია კორელაციური კავშირები მიწისპირა ოზონის კონცენტრაციის საშუალოწლიურ, ნახევარწლიურ და თვიურ მნიშვნელობებს შორის. შესწავლილია მიწისპირა ოზონის კონცენტრაციის საშუალოთვიური მნიშვნელობების ცვლილებების თავისებურებანი დროის სამი ათწლეულის პერიოდისათვის. განსაზღვრულია მიწისპირა ოზონის კონცენტრაციის ცვლილების ტენდენციები და მისი საშუალოწლიური (მეხუთე რიგის პოლინომი) და ნახევარწლიური(მეხუთე რიგის პოლინომი წლის ცივი პერიოდისათვის და მეექვსე რიგის პოლინომი თბილი ნახევარწლიანი პერიოდისათვის) მნიშვნელობების დროითი რიგების შემთხვევითი კომპონენტების სიდიდეები.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
9	ამირანაშვილი ა.	თბილისში დღიური ჯამური ნალექების ცვალებადობის თავისებურებანი 1957-2006 წლებში.	ICAE – 2015 საერთაშორისო კონფერენცია გამოყენებითი ეკოლოგია: პრობლემები, ინოვაციები // 7-10 მაისი, თბილისი - ბათუმი, საქართველო

საქართველოს კლიმატის თანამედროვე ცვლილებების ფართომასშტაბური შესწავლა დაიწყო 1996 წელს და გრძელდება დღემდე. უპირველეს ყოვლისა ჩატარდა საქართველოში სათბური გაზების ინვენტარიზაცია, გამოკვლეულ იქნა ჰაერის ტემპერატურის, ნალექების, ღრუბლიანობის, ატმოსფერული ჰაერის აეროზოლური დაბინძურების, ზედაპირული საფარის და სხვა კლიმატწარმომქმნელი ფაქტორების ველების სივრცულ-დროითი ვარიაციები. მოგვიანებით დაიწყო სამუშაოები საქართველოს სხვადასხვა რაიონში ჰაერის ტემპერატურისა და ნალექების ცვლილებების პროგნოზირებისათვის. კერძოდ, თბილისში 1957-2006 წლების პერიოდში ჯამური ნალექების საშუალო ნახევარწლიური და წლიური მნიშვნელობების დეტალური სტატისტიკური ანალიზის შედეგები იყო წარმოდგენილი ადრეულ ნაშრომებში. დროის აღნიშნულ პერიოდში დაიკვირვებოდა ნალექების სუსტი დადებითი ტრენდი წლის ცივ პერიოდში. ნალექების ცვალებადობა წლის თბილ პერიოდში არ შეიმჩნეოდა. წლიური მონაცემებით შეიმჩნეოდა ნალექების მატების სუსტი ტენდენცია. მოცემულ ნაშრომში, რომელიც წარმოადგენს ადრინდელი გამოკვლევების გაგრძელებას, მოცემულია საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური დეპარტამენტის თბილისში დღიურ ჯამურ ნალექებზე დაკვირვებათა მონაცემების სტანდარტული სტატისტიკური ანალიზის ზოგიერთი შედეგი 1957-2006 წლებისათვის. კერძოდ, შესწავლილია ატმოსფერული ნალექების სტატისტიკური სტრუქტურა 0.1-2, 2,1-5, 5,1-15, 15,1-30 და >30 მმ დღიური ინტენსივობით და ნალექიანი და უნალექო დღეების წლიური რაოდენობა ათი ხუთწლიანი დროითი ინტერვალისათვის 1957-1961, 1962-1966, ...2002-2006 წლებამდე. დღიური ჯამური ნალექების სუსტი ზრდა და დადებითი ტრენდი დაიკვირვებოდა 5,1-15 და 15,1-30 დიაპაზონებისათვის შესაბამისად. სუსტი შემცირება და უარყოფითი ტრენდი დაიკვირვებოდა, შესაბამისად 0,1-2 და 2,1-5 დიაპაზონებისათვის. დღიური ჯამური ნალექების ცვალებადობა დროში ინტენსივობით >30 არ დაიკვირვებოდა.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ჩარგაზია ხ., ხარშილაძე ო.	შიდა გრავიტაციური ტალღების ტრანზიენტული ზრდა იონოსფეროში წანაცვლებითი დინებების არსებობისას	გენერალური ასამბლეა 2015. 12-17 აპრილი. ვენა, ავსტრია.
შესწავლილია შიდა გრავიტაციური ტალღების (შგტ) გაძლიერებისა და ტრანზიენტული ზრდის წრფივი მექანიზმი უწყვეტად სტრატიფიცირებულ იონოსფეროში არაერთგვაროვან ქარებთან უერთიერთქმედებისას. ნაჩვენებია, რომ შგტ-ს გაძლიერება დროის მიხედვით არ მიმდინარეობს ექსპონენციალურად, არამედ ალგებრულ ხარისხოვანი წესით.			

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
2	ჩარგაზია ხ., ხარშილაძე ო.	ზონალური დინებებისა დიდმასშტაბიანი მაგნიტური ველების არაწრფივი გენერაცია უდს ტალღების მიერ, სატელიტური მონაცემების ანალიზი	26-ე გეოდეზიისა და გეოფიზიკის საერთაშორისო კავშირის გენერალური ასამბლეა. პრაღა, ჩეხეთი. 22 ივნისი - 2 ივილის, 2015
თეორიულად შესწავლილია ტურბულენტურ არაერთგვაროვანი ფონური ქარებით მართულ იონოსფეროში ზონალური დინებისა და მაგნიტური ველების არაწრფივი გენერაცია. შესწავლილია არაწრფივი (სკალარული და ვექტორული) ეფექტების როლი სასრული ამპლიტუდის მქონე დამაგნიტებული ტალღების მიერ დიდმასშტაბიანი ზონალური დინებებისა და მაგნიტური ველების ფორმირებაში დისიპაციურ იონოსფეროში. გამოყენებულ იქნა მოდიფიცირებული პარამეტრული მოდგომა. გამოკვლეულია უდს ტალრების უღტიერთტრანსფორმაციის ამოცანა ცანაცვლებითი დინებებით განპირობებულ იონოსფეროში. ცატარებულ იქნა რეალურ სატელიტურ მონაცემთა ანალიზი.			

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
3	ჩარგაზია ხ., ხარშილაძე ო.	ფონური არაერთგვაროვანი ქარის გავლენა დიდმასშტაბიანი ზონალური დინების გენერაციაზე უდს ტალღების მიერ	ევროპის პლანეტარულ მეცნიერებათა კონგრესი PSC 2015. ნანტი, საფრანგეთი, 27 სექტემბერი – 2 ოქტომბერი, 2015
შესწავლილია არაერთგვაროვანი ფონური ქარებით მართულ იონოსფეროში ზონალური დინების გენერაცია. შესწავლილია არაწრფივი (სკალარული და ვექტორული) ეფექტების როლი სასრული ამპლიტუდის მქონე ულტრა დაბალი სიხშირის (უდს) მოდების მიერ დიდმასშტაბიანი ზონალური დინებების ფორმირებაში დისიპაციურ იონოსფეროში. გამოვლენილ იქნა შედარებით მცირე მასშტაბიანი უდს ტალღიდან და ფონური ქარებიდან ენერგიის დიდმასშტაბიან ზონალურ დინებებში გადაქაჩვის თავისებურებები. ნაჩვენებია, რომ ზონალური დინების გენერაცია განპირობებულია სასრულ ამპლიტუდიანი დამაგნიტებული როსბის ტალღის რეინოლდსის ძაბვით და ფონური წანაცვლებითი დინების ზემოქმედებით.			

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
	Amiranashvili A., Chargazia Kh.,	Tourism climate index in the coastal and mountain locality of Adjara,	International Scientific Conference “Sustainable Mountain Regions:

4	Matzarakis A., Kartvelishvili	Georgia.	Make Them Work". Borovets, Bulgaria, 14-16 May,2015

განსაზღვრულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის (საქართველოს ცნობილი საკურორტო და ტურისტული რეგიონი) ოთხი სანაპირო და მთაგორიანი ადგილის ტურიზმის კლიმატური ინდექსის (ტკი) მნიშვნელობები - ბათუმი: 9 მეტრი ზღვის დონიდან; ქობულეთი: 3 მეტრი ზღვის დონიდან, მანძილი ბათუმიდან - 23 კმ შავი ზღვის სანაპირო ზოლის გასწვრივ; ხულო: 921 მეტრი ზღვის დონიდან, მანძილი ბათუმიდან - 73 კმ. აღნიშნული დასახლებული პუნქტებისთვის გამოთვლილია ტურიზმის კლიმატური ინდექსის საშუალოთვიური მნიშვნელობები 1961 წლიდან 2010 წლამდე პერიოდისათვის. გამოვლენილია არსებითი სხვაობა ტურიზმის კლიმატური ინდექსის მნიშვნელობებს შორის ადგილის რელიეფის მიხედვით. შესწავლილია ტურიზმის კლიმატური ინდექსის მნიშვნელობების ვარიაციები აღნიშნულ პერიოდში კლიმატის ცვლილებასთან კავშირში. განსაზღვრულია ტურიზმის სხვადასხვა ფორმებისთვის წლის ყველაზე კეთილსაიმედო პერიოდები ადგილის ბიოკლიმატური მახასიათებლების ასპექტში (პლაჟის ტურიზმი, ეკოტურიზმი, დაკვირვება ფრინველებზე, სპორტული ტურიზმი, სასოფლოსამეურნეო ტურიზმი, საკრუიზო ტურიზმი, ღვინის ტურიზმი, სამთო სათხილამურო ტურიზმი, საქმიანი ტურიზმი, სათამაშო ტურიზმი და სხვა).

ზღვისა და ატმოსფეროს გეოფიზიკური პროცესების მათემატიკური მოდელირების სექტორი

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი.

ავთანდილ კორძაძე - პროფ., ფიზიკა-მათემატიკის მეცნ. დოქტორი

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა.

1. დემური დემეტრაშვილი – მთავარი მეცნიერ თანამშრ., ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი
2. ალექსანდრე სურმავა - უფროსი მეცნიერ თანამშრ., ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი
3. დიანა კვარაცხელია - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, აკადემიური დოქტორი
4. ვეფხია კუხალაშვილი - მეცნიერ თანამშრომელი, მაგისტრი

* საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2014 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	შავი ზღვა-ატმოსფეროს სისტე-მაში მიმდინარე ჰიდროთერმო-დინამიკური და ეკოლოგიური პროცესების მათემატიკური მოდელირება, მონიტორინგი და პროგნოზირება.	ავთანდილ კორძაძე	1. დემური დემეტრაშვილი 2. ალექსანდრე სურმავა 3. დიანა კვარაცხელია 4. ვეფხია კუხალაშვილი

ეტაპი 1. ზღვის ზედაპირზე ავარიულად დაღვრილი ნავთობის გავრცელების 2-განზომილებიანი მათემატიკური მოდელის შემუშავება.

შემუშავებულია ზღვის ზედაპირზე ავარიულად დაღვრილი ნავთობის გავრცელების ორგანზომილებიანი მოდელი შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით ალგორითმულ ენაზე „ფორტრანი“. მოდელს საფუძვლად უდევს გადატანა-დიფუზიის არასტაციონარული განტოლება, სადაც პარამეტრული სახით გათვალისწინებულია ნავთობის კონცენტრაციების შემცირება არაჰიდროდინამიკური ფაქტორებით (აორთქლება, ბიოქიმიური პროცესები, სედიმენტაცია და სხვ.). მოდელის განტოლება ამოხსნილია გახლეჩის მეთოდზე დაფუძნებული სასრულ სხვაობითი მეთოდების გამოყენებით. მოდელი რეალიზებულია 1 კმ სივრცითი გარჩევისუნარიანობით შავი ზღვის საქარელოს აკვატორიაში.

ეტაპი 2. შავ ზღვაში არაკონსერვატიული მინარევების გავრცელების სივრცითი მოდელის შემუშავება.

შემუშავებულია ზღვის გარემოში არაკონსერვატიული მინარევის (მათ შორის რადიოაქტიურის) გავრცელების მათერმატიკური მოდელი შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით. მოდელს საფუძვლად უდევს გადატანა-დიფუზიის სამგანზომილებიანიანი არასტაციონარული განტოლება, რომელიც ამოხსნილი აგახლეჩის მეთოდზე დაფუძნებული სასრულ სხვაობითი მეთოდების გამოყენებით. ისევე როგორც ნავთობის გავრცელების მოდელი, აღნიშნული

მოდელი რეალიზებულია 1 კმ სივრცითი გარჩევისუნარიანობით შავი ზღვის საქარელოს აკვატორიაში.

ეტაპი 3. მინარევების გავრცელების მოდელების ჩართვა რეგიონულ პროგნოზულ სისტემაში და მათი რეალიზაცია.

მინარევების გავრცელების ორი და სამგანზომილებიანი მოდელები ცალკეული მოდულების სახით ჩართულია შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილის რეგიონული პროგნოზის სისტემაში. საჭიროების შემთხვევაში აღნიშნული სისტემა საშუალებას იძლევა, გარდა დინამიკური ველებისა, ოპერატიულთან მიახლოებულ რეჟიმში გამოვთვალოთ ნავთობისა და სხვა ანთროპოგენური ნივთიერებების გავრცელების ზონები და მათი კონცენტრაციები 1 კმ სივრცითი გარჩევისუნარიანობით. პროგნოზის გამოსათვლელად საჭირო მონაცემები რეგულარულად მოგვეწოდება ინტერნეტის საშუალებით ქ. სევასტოპოლის ზღვის ჰიდროფიზიკის ინსტიტუტიდან. პროგნოზის შედეგები თავსდება ინტერნეტში შემდეგ მისამართებზე:
www.ig-geophysics.ge. www.oceandna.ge.

ეტაპი 4. „მცირე წყლის“ თეორიის განტოლებათა სისტემაზე დაფუძნებული ძალიან მაღალი გარჩევისუნარიანი მათემატიკური მოდელის შემუშავება აჭარის სანაპირო ზონისათვის.

ამჟამად, მზადდება „მცირე წყლის“ თეორიის განტოლებათა სისტემაზე დაფუძნებული ძალიან მაღალი გარჩევისუნარიანი მათემატიკური მოდელის შემუშავება (სივრცითი ბიჯით 20 მ), რომელიც განკუთვნილია შავი ზღვის აჭარის სანაპირო ზონისათვის. მოდელი საშუალებას მოგვცემს გამოვთვალოთ ვერტიკალზე გასაშუალოებული ზღვის დინების სიჩქარეები და ზღვის დონის ცვალებადობა 20 მ ჰორიზონტალური სივრცითი ბიჯით.

ეტაპი 4. ლოკალური მასშტაბის ატმოსფერული პროცესის რიცხვითი მოდელის სრულყოფა საქართველოს რელიეფის რელიეფის გათვალისწინებით.

ატმოსფეროს ჰიდროთერმოდინამიკის სამგანზომილებიანი არაწრფივი არასტაციონარული განტოლებების გამოყენებით მუშავდება კახეთის ტერიტორიაზე ჰიდრომეტეოროლოგიური და ეკოლოგიური პროცესების განვითარების მეზომასშტაბის რიცხვითი მოდელი, რომელიც საშუალებას იძლევა მოდელირებული და შესწავლილი იქნეს კახეთის ტერიტორიაზე ლოკალური ატმოსფერული ცირკულაციური სისტემების, წარმოშობა და ევოლუცია სხვადასხვა ფონური სინოპტიკური პროცესების დროს. კერძოდ, მოდელირებულია ფონური აღმოსავლეთის ქარის შემთხვევაში მეტეოროლოგიური ველების - ქარის სიჩქარე, ატმოსფეროსა და ნიადაგის ტემპერატურა, წნევა, ატმოსფეროს ტენიანობის და ღრუბლიანობა, დამაბინძურებელი ნივთიერების კონცენტრაცია, შესაძლო სივრცული განაწილება. მიღებულია შედეგები, რომლებიც თვისებრივად ახლოსაა დაკვირვებულ ველებთან. მიმდინარეობს მუშაობა, წარმოშობილი სიმნელეების დაძლევისათვის – რთული რელიეფით გამოწვეული მეტეოროლოგიური ველების დიდი გრადიენტების პირობებში ღრულიანობის წარმოშობისა და ევოლუციის უფრო სრულყოფილი აღწერის მეთოდის დამუშავებისათვის.

* სახელმწიფო გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	**შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილის მდგომარეობის რეგიონული პროგნოზის სისტემის სრულყოფა და გაფართოება დამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა გაცრცელების**	**შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი**	**ავთანდილ კორძაძე**	**1. დემური დემეტრაშვილი 2. ალექსანდრე სურმავა 3. დიანა კვარაცხელია 4. ვეფხია კუხალაშვილი**

	პროგნოზის გათვა-ლისწინებით.			

მიმდინარე საანგარიშო წელს დასრულდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო გრანტის ფრგლებში სამეცნიერო პროექტი (2013-2015 წწ.), სადაც შემუშავებული იქნა რეგიონული პროგნოზის სისტემის გაუმჯობესებული ვერსია შავი ზღვის საქართველოს სექტორისა და მიმდებარე აკვატორიისათვის. პროექტის რეალიზაციის შედეგად, პირველად შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილისათვის შემუშავებული იქნა ზღვის მდგომარეობის პროგნოზის ოპერატიული სისტემა შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით, რაც საშუალებას მოგვცემს ოპერატიულ რეჟიმში გავთვალოთ არა მარტო ძირითადი ჰიდროფიზიკური ველების – დინების, ტემპერატურისა და მარილიანობის 3-განზომილებიანი ველების პროგნოზი 3 დღის წინასწარობით და 1 კმ გარჩევისუნარიანობით, არამედ ნავთობითა და სხვა ტოქსიკური ნივთიერებებით დაჭუჭყიანებული ზონებისა და კონცენტრაციების პროგნოზი ავარიულ სიტუაციებში. საჭიროების შემთხვევაში პროგნოზული სისტემა საშუალებას მოგვცემს აგრეთვე დავადგინოთ დაჭუჭყიანების წყაროს კოორდინატები ზღვის აუზის ზოგიერთ წერტილებში ცნობილი კონცენტრაციების მიხედვით. პროგნოზისათვის ყველა საჭირო მონაცემი მიიღება ოპერატიულთან მიახლოებულ რეჟიმში ზღვის ჰიდროფიზიკის ინსტიტუტიდან (ქ. სევასტოპოლი). პროგნოზული სისტემის საფუძველზე გამოთვლილი დინების, ტემპერატურისა და მარილიანობის პროგნოზული ველები –რეგულარულად თავსდება ინტერნეტში მისამართებზე: www.ig-geophysics.ge, www.ocendn.ge

* პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	სურმავა ა., კუხალაშვილი ვ.	მდინარე მტკვრის ამონიუმის იონით დაბინძურების თეორიული გამოკვლევა	მოხსენებათა კრებული. მე-7 საერთაშორისო-ტენიკური კონ–ფერენცია “ინტერნეტი და საზოგადოება” ინსო-2015(INSO-2015), 10-11 ივ–ლისი, 2015, ქ. ქუთაისი, აკაკი წერეთლის სა–ხელმწიფო უნივერსიტეტი.	ქ. ქუთაისი, აკაკი წერეთლის სა–ხელმწიფო უნივერსიტეტი.	4

მდ. მტკვარში დამაბინძურებელი ნივთიერების გადატანა-დიფუზიის არასტაციონარული წრფივი სამგანზომილებიანი განტოლების გამოყენებით მოდელირებულია მდ. მტკვარზე განლაგებული ქალაქებიდან ჩაშვებული ამონიუმის იონის გავრცელება. რიცხვითი ექსპერიმენტით მიღებულია მდ. მტკვარში ამონიუმის იონის კონცენტრაციის განაწილების სურათი. ნაჩვენებია, რომ მათემატიკური მოდელირებით მიღებული კონცენტრაციების მნიშვნელობები დასაშვები სიზუსთით ემთხვევა ნატურალური დაკვირვების მონაცემებს.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2.	სურმავა ა., ინწკირველი ლ., ბუაჩიძე ნ.	Numerical Simulation of Distribution of Contaminants Discharged to Kura River.	Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, vol. 9, no. 1, 2015.	ქ. თბილისი	6

უწყვეტ გარემოში ნივთიერების გადატანა-დიფუზიის არასტაციონარული წრფივი სამგანზომილებიანი განტოლების გამოყენებით დამუშავებულია მდ. მტკვარში მოხვედრილი დამაბინძურებელი ნივთიერების გავრცელების რიცხვითი მოდელი. მოდელი გათვალისწინებულია პირველ მიახლოებაში მდ. მტკვარში დამაბინძურებელი ნივთიერების გავრცელების შესწავლისათვის. მდ. მტკვარი დაყოფილია 10 პირობითად ერთგვაროვან წრფივ უბნად და თითოეული უბისათვის გამოყენებულია მდინარის მახასიათებელი ჰიდროლოგიური პარამეტრების საშუალო წლიური მნიშვნელობები.

რიცხვითი ექსპერიმეტით მოდელირებულია საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვართან მდ. მტკვარში ჩაღვრილი პასიური დამაბინძურებელი ნივთიერების გავრცელება სტაციონალური წყაროს შემთხვევაში. მოდელირებით განსაზღვრულია დრო, რომელიც საჭიროა იმითვის, რომ დამაბინძურებელმა ნივთიერებამ მიაღწიოს მდინარეზე განლაგებულ პუნქტებს, განვლოს მდინარის სხვადასხვა უბანი, მიაღწიოს საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარს და მინგეჩაურის წყალსაცავს. განსაზღვრულია დამაბინძურებელი ნივთიერების კონცენტრაციის მდინარის კალაპოტში განაწილების სურათი, კონცენ¬ტრაციის ცვლილება მდინარის ერთი უბნიდან მეორეში გადასვლისას, შეფასებულია კონცენტრაციის ფარდობითი ცვლილება მდინარის 10 პირობით უბანში.

შესწავლილია საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვართან მდ. მტკვარში 6 სთ განმავლობაში ზალპურად ჩაღვრილი პასიური დამაბინძურებელი ნივთიერების გავრცელება. ნაჩვენებია დაბინძურების ლაქის თანდათანობითი გადაადგილების სურათი მდინარის საქართველოს მონაკვეთში და კონცენტრაციის თანდათანობითი ცვლილება მოდელირებულია მდ. მტკვარზე განლაგებული ქალაქებიდან ჩაშვებული ამონიუმის (NH_3) გავრცელება. რიცხვითი ექსპერიმეტით მიღებულია მდ. მტკვრში ამონიუმის იონის კონცენტრაციის განაწილების სურათი. ნაჩვენებია, რომ მათემატიკური მოდელირებით მიღებული კონცენტრაციების მნიშვნელობები დასაშვები სიზუსტით ემთხვევა ნატურული დაკვირვებების მონაცემებს.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
3.	სურმავა ა.	Numerical Simulation of Distribution of Contaminants Discharged to Kura River.	Journal of the Georgian Geophysical Society, 2015, vol. 18b	ქ. თბილისი, ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	6

ნივთიერების გადატანა-დიფუზიის არასტაციონარული წრფივი სამგანზომილებიანი განტოლების გამოყენებით დამუშავებულია მდ. მტკვარში მოხვედრილი დამაბინძურებელი

ნივთიერების გავრცელების რიცხვითი მოდელი. რიცხვითი ექსპერიმენტით მოდელირებულია საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვართან მდ. მტკვარში ჩაღვრილი პასიური დამაბინძურებელი ნივთიერების გავრცელება სტაციონარული წყაროს შემთხვევაში. მოდელირებით განსაზღვრულია დრო, რომელიც საჭიროა იმითვის, რომ დამაბინძურებელმა ნივთიერებამ მიაღწიოს მდინარეზე განლაგებულ პუნქტებს, განვლოს მდინარის სხვადასხვა უბანი, მიაღწიოს საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარს და მინგეჩაურის წყალსაცავს. განსაზღვრულია დამაბინძურებელი ნივთიერების კონცენტრაციის მდინარის კალაპოტში განაწილების სურათი, კონცენ¬ტრაციის ცვლილება მდინარის ერთი უბნიდან მეორეში გადასვლისას, შეფასებულია კონცენტრაციის ფარდობითი ცვლილება მდინარის 10 პირობით უბანში.

შესწავლილია საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვართან მდ. მტკვარში 6 სთ განმავლობაში ზალპურად ჩაღვრილი პასიური დამაბინძურებელი ნივთიერების გავრცელება. ნაჩვენებია დაბინძურების ლაქის თანდათანობითი გადაადგილების სურათი მდინარის საქართველოს მონაკვეთში და კონცენტრაციის თანდათანობითი ცვლილება მოდელირებულია მდ. მტკვარზე განლაგებული ქალაქებიდან ჩაშვებული ამონიუმის (NH_3) გავრცელება. რიცხვითი ექსპერიმეტით მიღებულია მდ. მტკვრში ამონიუმის იონის კონცენტრაციის განაწილების სურათი. ნაჩვენებია, რომ მათემატიკური მოდელირებით მიღებული კონცენტრაციების მნიშვნელობები დასაშვები სიზუსტით ემთხვევა ნატურული დაკვირვებების მონაცემებს.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
4	კორძაძე ა., დემეტრაშვილი დ., კუხალაშვილი ვ.	ცირკულაციისა და მინარევების გავრცელების პროგნოზი შავი ზღვის საქარ–თველოს სანაპი–რო ზოლსა და მიმდებარე აკვატორიაში.	მოხსენებათა კრებული. მე-7 საერთაშორისო-ტენიკური კონ–ფერენცია “ინტერნეტი და საზოგადოება” ინსო-2015(INSO-2015), 10-11 ივ–ლისი, 2015, ქ. ქუთაისი, აკაკი წერეთლის სა–ხელმწიფო უნივერსიტეტი.	ქ. ქუთაისი, აკაკი წერეთლის სა–ხელმწიფო უნივერსიტეტი.	5

შავი ზღვის რეგიონული პროგნოზის სისტემა საქართველოს სანაპირო ზოლისა და მიმდებარე აკვატორიისათვის, რომელიც ერთ-ერთი კომპონენტია მთლიანად შავი ზღვის დიაგნოზისა და პროგნოზის სისტემისა, გაფართოებულია ნავთობისა და სხვა მინარევების გავრცელების ორი და სამგანზომილებიანი მათემატიკური მოდელების ჩართვის გზით. ამჟამად, რეგიონული პროგნოზის სისტემა ფუნქციონირებს ოპერატიულთან მიახლოებულ რეჟიმში და საშუალებას იძლევა განვახორციელოთ ზღვის დინამიკური ველების – დინების, ტემპერატურისა და მარილიანობის სამდღიანი პროგნოზი 1 კმ გარჩევისუნარიანობით, ხოლო საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში გამოვთვალოთ ზღვაში მოხვედრილი მინარევების კონცენტრაციები და დაჭუჭყიანების არეები.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-	ჟურნალის/ კრებულის	გამოცემის ადგილი,	გვერდების რაოდენობა

		ლის/კრებულის დასახელება	ნომერი	გამომცემლობა	
5	კორძაძე ა., დემეტრაშვილი დ. კუხალაშვილი ვ.	Forecast of dyna–mic and impurity's dispersion process-es in the Georgian Black Sea coastal zone and adjoining water area.	შრომათა კრებუ-ლი. მე-5 საერ– თაშორისო სა– მეცნიერო-ტექ– ნიკური კონფე– რენცია "წყალ-თა მეურნეობის, გარემოს დაცვის, არქიტექტურისა და მშენებლობის თანამედროვე პრობლემები". 16–19 ივლისი, 2015, ქ. თბილი-სი, საქართველოს ტექნიკური უნი-ვერსიტეტი, წყალთა მეურ-ნეობის ინსტი-ტუტი.	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	5
შავი ზღვის საქართველოს სანაპირო ზოლში ნავთობის ლაქის გადატანისა და სხვა მინარევების გავრცელების მოდელირებისა და პროგნოზის მიზნით მინარევების გავრცელების ორი და სამგანზომილებიანი მოდელები ცალკეული მოდულების სახით ჩართულია შავი ზღვის მდგომარეობის რეგიონულ პროგნოზულ სისტემაში. მოდელები დაფუძნებულია არაკონსერვატიული მინარევის ადვექცია-დიფუზიის განტოლებათა ამოხსნაზე გახლეჩის მეთოდის გამოყენებით. რიცხვითმა ექსპერიმენტებმა აჩვენა ადვექციისა და ტურბულენტური დიფუზიის არსებითი როლი დაჭუჭყიანების გავრცელების თავისებურებებში.					
6	კორძაძე ა., დემეტრაშვილი დ.	Easternmost Back Sea forecasting system: the current state and perspectives.	აბსტრაქტების კრებული. საქართველოს მექანიკოსთა კავშირის VI საერთაშორისო კონფერენცია, 29 სექტემბე– რი – 3 ოქტომ– ბერი, 2015	საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი თბილისი, 2015	2 გვ
ბოლო ათეულ წელიწადში შავი ზღვის ოპერატიული ოკეანოგრაფიის უდიდესი მიღწევაა შავი ზღვის დიაგნოზისა და პროგნოზის სისტემის შემუშავება, რაც შესაძლებელი გახდა იმ სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის შედეგად, რაც დაიკვირვება გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან. ამ სისტემის ერთ-ერთი კომპონენტია მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტში შემუშავებული შავი ზღვის რეგიონული პროგნოზის სისტემა შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილისათვის, რომელიც მოიცავს საქართველოს სანაპირო ზონას და მის მიმდებარე აკვატორიას. რეგიონული პროგნოზის სისტემა საშუალებას იძლევა გამოვთვალოთ ზღვის აღმოსავლეთ აკვატორიაში ძირითადი დინამიკური ველების – დინების, ტემპერატურისა და მარილიანობის 3 დღიანი პროგნოზი 1 კმ სივრცითი გარჩევისუნარიანობით, ხოლო საგანგებო სიტუაციების დროს ვიწინასწარმეტყველოთ აგრეთვე ზღვაში ჩაღვრილი					

ნავთობისა და სხვა მინარევების გავრცელების არეები და კონცენტრაციები.
რეგიონული პროგნოზის სისტემის შემდგომი სრულყოფა დაკავშირებულია ზღვის ღელვიანობის პროგნოზისა და ბიოქიმიური პროცესების მოდელების ჩართვასთან პროგნოზულ სისტემაში. გარდა ამისა, შემუშავდება პროგნოზული სისტემის გაცილებით მაღალი გარჩევისუნარიანობის მქონე ვერსია, რომელიც გამოყენებული იქნება აჭარის სანაპირო ზონისა და ქ. ფოთის აკვატორიისათვის (სივრცითი ბიჯით 50-100 მ). ამ ვერსიის ფუნქციონირება შესაძლებელია მხოლოდ ძირითად ვერსიასთან ერთობლივად. ამგვარად, შეიქმნება კომპლექსური ოპერატიული რეგიონული პროგნოზის სისტემა, რომელიც გააერთიანებს 1 კმ გარჩევისუნარიან პროგნოზულ სისტემას მთლიანად საქართველოს სანაპირო ზონისათვის, და 50-100 მ გარჩევისუნარიან პროგნოზულ ქვესისტემას აჭარის სანაპირო ზონისა და ქ. ფოთის აკვატორიისათვის.

7	დავითაშვილი თ., დემეტრაშვილი დ.	Numerical modeling of Air flow above the Caucasus Region	მოხსენებათა კრებული. კომპიუტერულ მეც–ნიერებათა და გამოყე–ნებითი მათემატიკის საერთაშორისო კონფე–რენცია (International Conference on Com–puter Sciences and Ap–plied Mathema–tics (TICCSAM 2015)), 21-23 მარტი, 2015	თბილისი, სოხუ–მის უნივერსიტე–ტი.	9
სტატიაში წარმოდგენილია საქართველოს მთიანი რელიეფის ზემოთ ტროპოსფეროში ჰაერის დინების რიცხვითი გამოკვლევის ზოგიერთი შედეგი. რიცხვითი მოდელი დაფუძნებულია არასტაციონარულ მეზომასშტაბურ სამგანზომილებიან მოდელზე ჰიდროსტატიკურ მიახლოებაში. ამოხსნის არის ზედა საზღვარი მოდელირებულია თავისუფალი ზედაპირით, ხოლო ქვედა სასაზღვრო პირობად გამოყენებულია ჰაერის ნაწილაკების სრიალის პირობა. მოდელის განტოლებათა სისტემა ამოხსნილია ლაქს–ვენდროფის ცხადი რიცხვითი სქემით.					
8	დემეტრაშვილი დ., კვარაცხელია დ.	Numerical modeling applied for investigation of the thermodynamic state in the biologically acting layer of the Black Sea. Conference proceedings.	მოხსენებათა კრებული. კომპიუტერულ მეც–ნიერებათა და გამოყე–ნებითი მათემატიკის საერთაშორისო კონფე–რენცია (International Conference on Compu-ter Sciences and Applied Mathematics (TICCSAM 2015)), 21-23 მარტი, 2015	თბილისი, სოხუ–მის უნივერსიტე–ტი.	16
შავი ზღვის დინამიკის სამგანზომილებინი ბაროკლინური მოდელის საშულებით, რომელიც შემუშავებულია ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტში, გამოკვლეულია ზაფხულის სეზონში შავი ზღვის ბიოლოგიურად აქტიურ ფენაში ჰიდროთერმოდინამიკური პროცესების ძირითადი თავისებურებანი. გამოკვლევები ჩატარებულია არასტაციონარული ატმოსფერული ქარისმიერი და					

თერმოხალინური ზემოქმედების პირობებში. თერმოხალინური ზემოქმედება გათვალისწინებულია როგორც დირიხლეს, ასევე ნეიმანის სასაზღვრო პირობებით ზედა საზ–ღვარზე ტემპერატურისა და მარილიანობისათვის კლიმატური მონაცემების გამოყენებით. ჩატარებულმა გამოთვლითმა ექსპერიმენტებმა აჩვენა თერმოხალინური ზემოქმედების მნიშვნელოვანი როლი ცირკულაციური რეჟიმის ჩამოყალიბებაში შავი ზღვის ზედა ბიოლოგიურად აქტიურ ფენაში გარდამავალი კლიმატური პირობების დროს. გარდა ამისა, თერმოხალინური ზემოქმედება თამაშობს აქტიურ როლს სითბოს ჰორიზონტალურ გადატანაშიც ზედა 2–26 მ სისქის ფენაში.					
9	კორძაძე ა. დემეტრაშვილი დ. კუხალაშვილი ვ.	Forecast of dynamic fields and impurity dispersion in the easternmost part of the Black Sea	Journal of the Georgian Geophysical Society. 2015, vol.18b	ქ. თბილისი, ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	9
წარმოდგენილია შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილისათვის მოკლევადიანი რეგიონული პროგნოზის სისტემის გაუმჯობესებული ვერსია. პროგნოზის სისტემა შედგება ჰიდროდინამიკური და ეკოლოგიური ბლოკებისაგან. ჰიდროდინამიკური ბლოკი შეიცავს მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის მაღალი გარჩევისუნარიან სამგანზომილებიან შავი ზღვის დინამიკის რეგიონულ მოდელს, ხოლო ეკოლოგიური ბლოკი შედგება ნავთობისა და სხვა მინარევების გავრცელების ორი და სამგანზომილებიანი მოდელებისაგან. რეგიონული პროგნოზის სისტემა, რომელიც ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია მთლიანად შავი ზღვის დიაგნოზისა და პროგნოზის სისტემისა, ფუნქციონირებს რეალურთან მიახლოებულ რეჟიმში და უზრუნველყოფს შავი ზღვის დინამიკური ველების – დინების, ტემპერატურისა და მარილიანობის სამდღიან პროგნოზს 1 კმ გარჩევისუნარიანობით, ხოლო საგანგებო სიტუაციებში შესაძლებლობას იძლევა გამოვთვალოთ მინარევის კონცენტრაციებისა და დაჭუჭყიანების ზონების პროგნოზიც.					
10	სურმავა ა., ინწკირველი ლ., ბუაჩიძე ნ., მდივანი გ.	Numerical Investigation of Contaminants distribution in the Georgian part of Mtkvari River.	Proceedings of International Conference ,,Modern roblems of geography and anthropology", Dedicated to the 140th Anniversary of Academician Alexandre Javakhishvili. Tbilisi, 2015.	ქ. თბილისი, ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	5
უწყვეტ გარემოში ნივთიერების გადატანა-დიფუზიის არასტაციონარული წრფივი სამგანზომილებიანი განტოლების გამოყენებით დამუშავებულია მდ. მტკვარში მოხვედრილი დამაბინძურებელი ნივთიერების გავრცელების რიცხვითი მოდელი. მოდელი გათვალისწინებულია პირველ მიახლოებაში მდ. მტკვარში დამაბინძურებელი ნივთიერების გავრცელების შესწავლისათვის. მდ. მტკვარი დაყოფილია 10 პირობითად ერთგვაროვან წრფივ უბნად და თითოეული უბისათვის გამოყენებულია მდინარის მახასიათებელი ჰიდროლოგიური პარამეტრების საშუალო წლიური მნიშვნელობები. მოდელირებულია საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვართან მდ. მტკვარში ჩაღვრილი პასიური დამაბინძურებელი ნივთიერების გავრცელება სტაციონალური წყაროს შემთხვევაში. მოდელირებით განსაზღვრულია დრო, რომელიც საჭიროა იმითვის, რომ დამაბინძურებელმა ნივთიერებამ მიაღწიოს მდინარეზე განლაგებულ პუნქტებს, განვლოს მდინარის სხვადასხვა უბანი, მიაღწიოს საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარს და მინგეჩაურის წყალსაცავს					

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
10	კორძაძე ა. დემეტრაშვილი დ. კუხალაშვილი ვ.	Easternmost Black Sea Regional Forecasting System	Proceed. of the Twelfth International Conference on the Mediterranean Coastal Environment-MEDCOAST 2015, 6-10 October,2015	ქ. ვარნა, ბულგარეთი	12
სტატიაში მოცემულია შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილისათვის რეგიონული პროგნოზული სისტემის აღწერა და დემონსტრირებულია ცირკულაციისა და მინარევების გავრცელების მოკლევადიანი პროგნოზის გამოთვლის ზოგიერთი შედეგი. პროგნოზული სისტემა შედგება ჰიდროდინამიკური და ეკოლოგიური ბლოკებისაგან. ჰიდროდინამიკური ბლოკი დაფუძნებულია ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის მაღალი გარჩევისუნარიან ზღვის დინამიკის რეგიონულ მოდელის გამოყენებაზე, რომლის სათვლელი ბადე ჩადგმულია ზღვის ჰიდროფიზიკის ინსტიტუტის (ქ. სევასტოპოლი) შავი ზღვის დინამიკის მოდელის სათვლელ ბადეში. ეკოლოგიური ბლოკი შედგება მიონარევების გავრცელების ორ და სამგანზომილებიან მოდელებზე, რომლებიც დაფუძნებულია არასტაციონარულ გადატანა-დიფუზიის განტოლებაზე. ორივე ბლოკის ამოცანათა ამოსახსნელად გამოყენებულია გახლეჩის მეთოდზე დაფუძნებული დიფერენციალურ განტოლებათა ამოხსნის სასრულ-სხვაობითი მეთოდები.					
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
11	Кордзадзе А. А., Деметрашвили Д. И.	Прогноз циркуляционных процессов и распространения нефтяного загрязнения в восточной части Черного моря на основе региональной прогнстической системы	Морской гидрофизический журнал 2015, №1	Севастополь	12
შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილის დინამიკური მდგომარეობის მოკლევადიანი პროგნოზის სისტემა (თხევადი საზღვარი დასავლეთის მხრიდან გადის ა.გ. 39.08^0 -ზე) გაფართოებულია					

სისტემაში ნავთობის გავრცელების მოდელის ჩართვის გზით. პროგნოზული სისტემა დინამიკური პარამეტრების - დინების, ტემპერატურისა და მარილიანობის 3-განზომილებიანი ველების პროგნოზის გარდა, შესაძლებლობას იძლევა საჭიროების შემთხვევაში ოპერატიულად გავთვალოთ ნავთობით დაჭუჭყიანების არეები და კონცენტრაციები შავი ზღვის საქართველოს სექტორში 1 კმ გარჩევისუნარიანობით და 3 დღის წინასწარობით. რიცხვითმა ექსპერიმენტებმა გაფართოებული რეგიონული პროგნოზული სისტემის საფუძველზე აჩვენა დინამიკური პროცესების მნიშვნელოვანი როლი დაჭუჭყიანების სივრცით-დროით განაწილებაში.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
12	კვარაცხელია დ. დემეტრაშვილი დ.	Numerical investigation of sensitivity of the Black Sea layer to vertical turbulent diffusion processes.	Geophysical Research abstracts. EGU General Assembly 2015, 12-17 April, 2015, Vienna, Austria	Vienna, Austria 2015	1
სტატიაში განხილულია შავი ზღვის ზედა ფენის ფორმირება და ევოლუცია ატმოსფერულ არასტაციონარულ ცირკულაციასთან და თერმოხალინურ ზემოქმედებასთან კავშირში. გამოთვლითი ექსპერიმენტების შედეგები აჩვენებს, რომ ზამთრის პერიოდში ტურბულენტური დიფუზიური პროცესები მნიშვნელოვანია 16–26 მ სიღრმის ზედა ფენაში. ცივი სეზონისაგან განსხვავებით, გარდამავალი პერიოდის განმავლობაში, როდესაც ზღვის შერევის ფენის სიღრმეა 2–4 მ ტურბულენტური დიფუზიის როლი შედარებით უმნიშვნელოა. თბილ სეზონში (ზაფხული), როდესაც შერევის ზედა ფენა არ დაიკვირვება, ვერტიკალური დიფუზია უფრო მნიშვნელოვნად აისახება ტემპერატურული ველის ფორმირებაზე, ვიდრე მარილიანობის ველზე.					

* სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	სურმავა ა., კუხალაშვილი ვ.	მდინარე მტკვრის ამონიუმის იონით დაბინძურების თეორიული გამოკვლევა.	მე-7 საერთაშორისო-ტენიკური კონფერენცია „ინტერნეტი და საზოგადოება” ინსო-2015(INSO-2015), 10-11 ივლისი, 2015, ქ. ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
მოხსენება შეეხებოდა მდ. მტკვარში ამონიუმის იოდის გავრცელების მათემატიკურ მოდელირებას დამაბინძურებელი ნივთიერების გადატანა-დიფუზიის არასტაციონარული წრფივი სამგანზომილებიანი განტოლების გამოყენებით. ნაჩვენებია, რომ მათემატიკური მოდელირებით მიღებული კონცენტრაციების მნიშვნელობები დასაშვები სიზუსტით ემთხვევა			

ნატურალური დაკვირვების მონაცემებს.			
№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
2	კორძაძე ა., დემეტრაშვილი დ. კუხალაშვილი ვ.	ცირკულაციისა და მინარევების გავრცელების პროგნოზი შავი ზღვის საქართველოს სანაპირო ზოლსა და მიმდებარე აკვატორიაში.	მე-7 საერთაშორისო-ტენიკური კონფერენცია „ინტერნეტი და საზოგადოება" ინსო-2015(INSO-2015), 10-11 ივლისი, 2015, ქ. ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
ამჟამად, ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტში ოპერატიულთან მიახლოებულ რეჟიმში ფუნქციონირებს რეგიონული პროგნოზის სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა განვახორციელოთ ზღვის დინამიკური ველების – დინების, ტემპერატურისა და მარილიანობის სამდღიანი პროგნოზი 1 კმ გარჩევისუნარიანობით, ხოლო საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში გამოვთვალოთ ზღვაში მოხვედრილი მინარევების კონცენტრაციები და დაჭუჭყიანების არეები.			
№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
3	კორძაძე ა., დემეტრაშვილი დ. კუხალაშვილი ვ.	Forecast of dynamic and impurity's dispersion processes in the Georgian Black Sea coastal zone and adjoining water area.	მე-5 საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია "წყალთა მეურნეობის, გარემოს დაცვის, არქიტექტურისა და მშენებლობის თანამედროვე პრობლემები". 16–19 ივლისი, 2015, ქ. თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი.
შავი ზღვის საქართველოს სანაპირო ზოლში ნავთობის ლაქის გადატანისა და სხვა მინარევების გავრცელების მოდელირებისა და პროგნოზის მიზნით მინარევების გავრცელების ორი და სამგანზომილებიანი მოდელები ცალკეული მოდულების სახით ჩართულია შავი ზღვის მდგომარეობის რეგიონულ პროგნოზულ სისტემაში. მოდელები დაფუძნებულია არაკონსერვატიული მინარევის ადვექცია-დიფუზიის განტოლებათა ამოხსნაზე გახლეჩის მეთოდის გამოყენებით. რიცხვითმა ექსპერიმენტებმა აჩვენა ადვექციისა და ტურბულენტური დიფუზიის არსებითი როლი დაჭუჭყიანების გავრცელების თავისებურებებში.			
№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
4	კორძაძე ა., დემეტრაშვილი დ.	Easternmost Back Sea forecasting system: the current state and perspectives.	საქართველოს მექანიკოსთა კავშირის VI საერთაშორისო კონფერნცია, 29 სექტემბერი – 3 ოქტომბერი, 2015 ქ. თბილისი, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
მოხსენება ეძღვნებოდა ბოლო ათეულ წელიწადში შავი ზღვის ოპერატიული ოკეანოგრაფიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაპოვარს - შავი ზღვის დიაგნოზისა და პროგნოზის სისტემას, რომლის შემუშავება შესაძლებელი გახდა იმ სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის შედეგად, რაც დაიკვირვება გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან. ამ სისტემის ერთ-ერთი კომპონენტია მ.			

ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტში შემუშავებული შავი ზღვის რეგიონული პროგნოზის სისტემა შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილისათვის, რომელიც მოიცავს საქართველოს სანაპირო ზონას და მის მიმდებარე აკვატორიას. რეგიონული პროგნოზის სისტემა საშუალებას იძლევა გამოვთვალოთ ზღვის აღმოსავლეთ აკვატორიაში ძირითადი დინამიკური ველების – დინების, ტემპერატურისა და მარილიანობის 3 დღიანი პროგნოზი 1 კმ სივრცითი გარჩევისუნარიანობით, ხოლო საგანგებო სიტუაციების დროს ვიწინასწარმეტყველოთ აგრეთვე ზღვაში ჩაღვრილი ნავთობისა და სხვა მინარევების გავრცელების არეები და კონცენტრაციები.
რეგიონული პროგნოზის სისტემის შემდგომი სრულყოფა დაკავშირებულია ზღვის ღელვიანობის პროგნოზისა და ბიოქიმიური პროცესების მოდელების ჩართვასთან პროგნოზულ სისტემაში. გარდა ამისა, შემუშავდება პროგნოზული სისტემის გაცილებით მაღალი გარჩევისუნარიანობის მქონე ვერსია, რომელიც გამოყენებული იქნება აჭარის სანაპირო ზონისა და ქ. ფოთის აკვატორიისათვის (სივრცითი ბიჯით 50-100 მ).

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
5	დავითაშვილი თ., დემეტრაშვილი დ.	Numerical modeling of air flow above the Caucasus Region.	კომპიუტერულ მეცნიერებათა და გამოყენებითი მათემატიკის საერთაშორისო კონფერენცია (International Conference on Computer Sciences and Applied Mathematics (TICCSAM 2015)), 21-23 მარტი, 2015 ქ. თბილისი, სოხუმის უნივერსიტეტი

განხილულია ჰაერის მასის დინება ტროპოსფეროში კავკასიის რთული ოროგრაფიის ზემოთ არასტაციონარული სივრცითი ჰიდროსტატიკური მოდელის საფუძველზე, რომელსაც საფუძვლად უდევს ატმოსფეროს ჰიდროთერმოდინამიკის განტოლებათა სრული სისტემა. მოდელის განტოლებათა სისტემა ამოხსნილია ლაქს–ვენდროფის რიცხვითი სქემით.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
6	დემეტრაშვილი დ. კვარაცხელია დ.	Numerical modeling applied for investigation of the thermodynamic state in the biologically acting layer of the Black Sea. Conference proceedings.	კომპიუტერულ მეცნიერე-ბათა და გამოყენებითი მათემატიკის საერთაშორისო კონფერენცია (International Conference on Computer Sciences and Applied Mathematics (TICCSAM 2015)), 21-23 მარტი, 2015 ქ. თბილისი, სოხუმის უნივერსიტეტი

შავი ზღვის დინამიკის სამგანზომილებინი ბაროკლინური მოდელის საშულებით, რომელიც შემუშავებულია ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტში, გამოკვლეულია ზაფხულის სეზონში შავი ზღვის ბიოლოგიურად აქტიურ ფენაში ჰიდროთერმოდინამიკური პროცესების ძირითადი თავისებურებანი. გამოკვლევები ჩატარებულია არასტაციონარული ატმოსფერული ქარისმიერი და თერმოხალინური ზემოქმედების პირობებში. ჩატარებულმა გამოთვლითმა ექსპერიმენტებმა აჩვენა თერმოხალინური ზემოქმედების მნიშვნელოვანი როლი ცირკულაციური რეჟიმის

ჩამოყალიბებაში შავი ზღვის ზედა ბიოლოგიურად აქტიურ ფენაში და სითბოს ჰორიზონტალურ გადატანაში ზედა 2-26 მ სისქის ფენაში.			
№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
7	სურმავა ა., ინწკირველი ლ., ბუაჩიძე ნ., მდივანი გ.	Numerical Investigation of Contaminants distribution in the Georgian part of Mtkvari River.	International Conference ,,Modern problems of geography and anthropology", Dedicated to the 140th Anniversary of Academician Alexandre Javakhishvili. Tbilisi, 2015.
მოდელირებულია საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვართან მდ. მტკვარში ჩაღვრილი პასიური დამაბინძურებელი ნივთიერების გავრცელება სტაციონალური წყაროს შემთხვევაში. მოდელირებით განსაზღვრულია დრო, რომელიც საჭიროა იმითვის, რომ დამაბინძურებელმა ნივთიერებამ მიაღწიოს მდინარეზე განლაგებულ პუნქტებს, განვლოს მდინარის სხვადასხვა უბანი, მიაღწიოს საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარს და მინგეჩაურის წყალსაცავს			
№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
7	კვარაცხელია დ., დემეტრაშვილი დ.	შავი ზღვის შერეული ფენის თავისებურებების რიცხვითი კვლევა საქართველოს სანაპირო ზონისათვის	საქართველოს მექანიკოსთა კავშირის VI საერთაშორისო კონფერნცია, 29 სექტემბერი – 3 ოქტომბერი, 2015 ქ. თბილისი, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
ზღვებისა და ოკეანეების ზედა შერეული ფენა წარმოადგენს წყლის ერთერთ მნიშვნელოვან არეს, რომლის თერმოდინამიკური მდგომარეობა განსაზღვრავს მრავალ მნიშვნელოვან ფიზიკურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ პროცესებს ზღვა-ატმოსფერულ გარემოში. იგივეს თქმა შეიძლება შავი ზღვის ტურბულენტური შერეული ფენის შესახებ, რომელიც წარმოადგენს კვლევის მთავარ საგანს. ცნობილია, რომ შერეული ფენის სიღრმე ძირითადად განისაზღვრება წყლის თვისებების შეფასებებით: ტემპერატურისა და სიმკვრივის, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში შერეული ფენის სიღრმე და მისი ცვალებადობა შესწავლილია შავი ზღვის დინამიკის რიცხვითი მოდელის გამოყენებით, რომელიც შემუშავდა მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტში (BშM-IG). კვლევის მთავარ საგანს წარმოადგენდა შავი ზღვის ზედა შერეული ფენის წარმოქმნის თავისებურებებისა და მისი ევოლუციის შესწავლა საქართველოს სანაპირო ზონისათვის არასტაციონარული ატმოსფერულ ცირკულაციასთან მიმართებაში და თერმოხალინური ზემოქმედების გათვალისწინებით შიდა წლიურ დროით მასშტაბებში. აგრეთვე, კვლევის მთავარ ასპექტს წარმოადგენს ვერტიკალური დიფუზიის კოეფიციენტის მნიშვნელოვანი ზეგავლენა შავი ზღვის ზედა ფენის ტემპერატურულ და მარილიანობის ველებზე. ამასთანავე, ვერტიკალური დიფუზიის კოეფიციენტი სითბოსა და მარილიანობისთვის ჩათვლილია მუდმივად და მისი პარამეტრიზება განხორციელდა ობუხოვის მოდიფიცირებული ფორმულის მიხედვით.			

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
8	Kordzadze A. A., Demetrashvili D. I., Kukhalashvili V. G	Easternmost Black Sea Regional Forecasting System	the Twelfth International Conference on the

			Mediterranean Coastal Environment-MEDCOAST 2015, Varna, Bulgaria, 6-10 October,2015

მოხსენებაში მოცემულია შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილისათვის რეგიონული პროგნოზული სისტემის აღწერა და დემონსტრირებულია ცირკულაციისა და მინარევების გავრცელების მოკლევადიანი პროგნოზის გამოთვლის ზოგიერთი შედეგი. პროგნოზული სისტემა შედგება ჰიდროდინამიკური და ეკოლოგიური ბლოკებისაგან.

ჰიდროდინამიკური ბლოკი დაფუძნებულია ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის მაღალი გარჩევისუნარიან ზღვის დინამიკის რეგიონულ მოდელის გამოყენებაზე, რომლის სათვლელი ბადე ჩადგმულია ზღვის ჰიდროფიზიკის ინსტიტუტის (ქ. სევასტოპოლი) შავი ზღვის დინამიკის მოდელის სათვლელ ბადეში. ეკოლოგიური ბლოკი შედგება მიონარევების გავრცელების ორ და სამგანზომილებიან მოდელებზე, რომლებიც დაფუძნებულია არასტაციონარულ გადატანა-დიფუზიის განტოლებაზე. ორივე ბლოკის ამოცანათა ამოსახსნელად გამოყენებულია გახლეჩის მეთოდზე დაფუძნებული დიფერენციალურ განტოლებათა ამოხსნის სასრულ-სხვაობითი მეთოდები.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
9	Буачидзе Н. С., Инцкирвели Л. Н., Сурмава А. А.	Определение качества воды бассейна реки Кура посредством интегральных гидрохимических показателей	LXVIII Герценовские чтения, 22-25 апреля 2015 года, Санкт-Петербург, Россия

გამოკვლეულია მდ. მტკვრის, ალაზნისა და იორის ჰიდროქიმიური და ჰიდრობიოლოგიური დაბინძურება მდინარეების წყალში, ასევ ფსკერულ დანალექში. შემჩნეულია დამაბინძირებელი კომპონენტების კონცენტრაციის ზრდა მდინარეების დინების მიმართულებით. ჰიდროქიმიური ინდექსების გამოყენებით შეფასებულია მდინარეების დაბინძურების ხარისხი.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
10	Kvaratskhelia D. Demetrashvili D.	Numerical investigation of sensitivity of the Black Sea layer to vertical turbulent diffusion processes	EGU General assembly 2015. Vienna, Austria, 27 April-2 May, 2015.

მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის შავი ზღვის დინამიკის 3-განზომილებიანი ბაროკლინური მოდელის მეშვეობით გამოკვლეულია შავი ზღვის ჰიდროლოგიური სტრუქტურის ძირითადი თავისებურებები გარდამავალი სეზონის (აპრილი) კლიმატური პირობებისათვის ატმოსფეროს თერმოხალინური ზემოქმედება გათვალისწინებულია როგორც დირიხლეს, ასევე ნეიმანის ზედა სასაზღვრო პირობებით.ჩატარებულმა რიცხვითმა ექსპერიმენტმა სუსტი ქარის პირობებში აჩვენა თერმოხალინური ზემოქმედების პირველადი როლი შავი ზღვის ცირკულაციის ვერტიკალური სტრუქტურის ფორმირებაში. ასევე, რიცხვითი ექსპერიმენტის ფონზე გამოიკვეთა თერმოხალინური ზემოქმედების მნიშვნელოვანი გავლენა ჰორიზონტზე სითბოს ინტენსიურ გადატანაში შავი ზღვის ზედა 2-26 მ ფენაში.

კოსმოსური კვლევის ცენტრი

2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი:
დავით ზილფიმიანი

3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:
დავით ზილფიმიანი, გოგი ჩაგელიშვილი, რევაზ ჭანიშვილი, ოლეგ ხარშილაძე, გენადი თვაური, ელენე უჩავა, ქეთი ქორიძე, ტატიანა ჯინჯოლია, კარლო ქორიძე, დავით იმნაძე

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

N	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	თანამგზავრული დისტანციური ზონდირების მონაცემების დამუშავება და გამოყენება საქართველოს ტერიტორიის და გეოკოსმოსური გარემოს მონიტორინგისთვის.	დავით ზილფიმიანი	გოგი ჩაგელიშვილი, რევაზ ჭანიშვილი, ოლეგ ხარშილაძე, გენადი თვაური, ელენე უჩავა, ქეთი ქორიძე, ტატიანა ჯინჯოლია, კარლო ქორიძე, დავით იმნაძე
	კოსმოსური კვლევის ცენტრის 2015 წლის სამუშაო გეგმის მიხედვით გაგრძელდა წინა წელს დაწყებული კვლევები დედამიწის დისტანციური ზონდირების და გეოკოსმოსური გარემოს პარამეტრების შეფასების მიზნით თანამგზავრული ტექნოლოგიების გამოყენების ამოცანებში. ამისათვის ჩატარდა კვლევა სამი მიმართულებით. ერთი მათგანი გულისხმობს თანამგზავრებით დისტანციური ზონდირების მეთოდებით დედამიწის ზედაპირზე მიმდინარე დინამიური პროცესების შესწავლას, მეორე გეოკოსმოსურ გარემოზე (იონოსფერო, მაგნიტოსფერო) უშუალო თანამგზავრული დაკვირვებების მონაცემთა ანალიზს და მათ თეორიულ ინტერპრეტაციას და მესამე თეორიული კვლევები ანალიზურ მოდელებში. პირველი ამოცანის გადაჭრისათვის სამუშაო გეგმის ფარგლებში ჩატარდა თანამგზავრული დისტანციური ზონდირების მონაცემების მოპოვება, დამუშავება და მიღებული შედეგების გამოყენება საქართველოს ტერიტორიაზე თოვლის საფარის ფართობების შეფასების მიზნით ბოლო 3 წლის პერიოდისათვის. სეზონური თოვლის საფარი დედამიწის კლიმატური სისტემის უმნიშვნელოვანესი კომპონენტის - კრიოსფეროს ერთ-ერთი სახეობაა. ის ზემოქმედებს კლიმატზე, რელიეფზე, ჰიდროგრაფიულ და ნიადაგწარმომქმნელ პროცესებზე, მცენარეებისა და ცხოველების საარსებო გარემოზე, ეკოსისტემის ფუნქციონირებაზე. თოვლის საფარის ფართობის ცვლილება გავლენას ახდენს, როგორც გლობალურ, ისე ადგილობრივ კლიმატზე, ეკოსისტემაზე და მოსახლეობის კეთილდღეობაზე.		

თოვლის საფარი არა მხოლოდ თავად რეაგირებს კლიმატის ცვლილებაზე, რითაც კლიმატის ცვლილების ინდიკატორების როლს ასრულებს, არამედ თავადაც ახდენს გავლენას კლიმატზე. კლიმატის თანამედროვე ცვლილებამ შესაძლებელია დრამატულად შეცვალოს დედამიწის მდგრდი თოვლის საფარის არეალები ანუ იქ, სადაც თოვლი ერთი და მეტი თვის განმავლობაში უწყვეტად დევს და იმოქმედოს მისი ხანგრძლივობის პერიოდზე. ეს პრობლემა განსაკუთრებულ აქტუალობას მაღალმთიანი რეგიონებისთვის იძენს. საქართველოსათვის, რომელსაც კავკასიის რეგიონში სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა უკავია, როგორც ეკონომიკური, ისე გეოეკოლოგიური თვალსაზრისით თოვლის რესურსის შესწავლას და მის მრავალწლიურ მონიტორინგს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ჰიდრო-ენერგეტიკული რესურსების მართვა განსაკუთრებით კი მაღალმთიან რეგიონებში, ავტო მაგისტრალებზე ტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილება ზამთრის პერიოდში, მოსახლეობის წყალმომარაგების საკითხი, გახშირებული სტიქიური პროცესები (ზვავები, ღრვარცოფი, მეწყერი, წყალიდობა, წყალმოვარდნა) - არის ის საკითხები, რომელთა გონივრული მართვა წარმოუდგენელია თოვლის რესურსის თანამედროვე მდგომარეობის შეფასებისა და მისი ცვლილების ტენდენციის დადგენის გარეშე.

საქართველოს ტერიტორიაზე 2000-დან 2014 წლამდე 14 ჰიდროლოგიური წლის განმავლობაში თოვლის საფარის დინამიკის შესწავლის მიზნით გამოვიყენეთ თანამგზავრ Terra-ს სენსორ MODIS-ის თანამგზავრული გაზომვების საფუძველზე მიღებული თოვლის საფარის ცვალებადობის მონაცემები, კერძოდ, თოვლის საფარის 8-დღიანი კომპიზიციური მონაცემები. ე.წ. MODIS/Terra Snow Cover 8-Day L3 Global 500m Grid data. განმარტების თანახმად, აღნიშნულ მონაცემებში თოვლით დაფარულად მიჩნეულია ყველა ის პიქსელი, რომლებიც განსახილველი 8 დღის განმავლობაში თუნდაც ერთი დღის განმავლობაში მიჩნეული იყო თოვლით დაფარულად. თოვლის საფარის აღნიშნული 8-დღიანი კომპოზიციური მონაცემების საფუძველზე შევადგინეთ თოვლის საფარის ყოველთვიური კომპოზიციური მონაცემები 14 ჰიდროლოგიური წლის თითოეული თვისათვის. თოვლის საფარის თვიურ კომპოზიციურ სურათებზე თოვლით დაფარულად მივიჩნიეთ ყველა ის პიქსელი, რომლებიც ამა თუ იმ თვის შესაბამისი 8-დღიანი ინტერვალიდან არანაკლებ ორი ინტერვალის განმავლობაში (ანუ არანაკლებ 16 დღის განმავლობაში) მიჩნეული იყო თოვლით დაფარულად.

შედეგად მიღებულია თოვლის საფარის ფართობის და ზღვის დონიდან სიმაღლის ცვლილების მონაცემები საქართველოს 12 რეგიონისათვის (აფხაზეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, იმერეთი, გურია, აჭარა, სამცხე-ჯავახეთი, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, კახეთი, თბილისი) 2000-2014 წლებში. გამოკვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ აღნიშნულ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე თოვლის საფარის ფართობი მცირდება, თოვლის საფარის სიმაღლე მატულობს.

გარდა ამისა, ჩატარდა გეგმით გათვალისწინებული კვლევები დედამიწის ახლომდებარე კოსმოსურ გარემოში (იონოსფერო, მაგნიტოსფერო) ფიზიკური და დინამიური პროცესებზე თანამედროვე თანამგზავრულ სისრემებზე განლაგებული მაღალმგრძნობიარე სენსორული დანადგარებით მიღებული მონაცემების დამუშავებისათვის. ამ ტიპის ექსპერიმენტული მონაცემები საშუალებას იძლევა შეფასდეს ე.წ. „კოსმოსური ამინდის“ პარამეტრები, რაც მნიშვნელოვანია კოსმოსური რისკების შესაფასებლად, შტორმული პროცესების დინამიკის შეფასებისა და შესწავლისათვის. მიღებული მონაცემების საშუალებით ჩავატარეთ დედამიწის მაგნიტოსფეროსა და იონოსფეროში პლაზმური დინებების არაერთვაროვნების შეფასება, რიცხვითი მოდელირების ბაზაზე სწრაფი ფურიე გარდაქმნის ალგორითმის, სპექტროგრამების, რეკურენტული გრაფიკების და ვეივლეტ-ანალიზის გამოყენებით ტურბულენტური დინებების გამოკვლევა. კოსმოსურ დინებებში გრიგალური სტრუქტურების თვისებების შესასწავლად ჩატარებულია მაგნიტოსფერული მრავალთანამგზავრული (THEMIS, CLASTER) მონაცემების კვლევა არაწრფივი დინამიკის მეთოდების გამოყენებით. ასეთ

	სტრუქტურებში გამოვლენილია სუპერდიფუზიის ეფექტები და პერკოლაციის ეფექტები, რომელთა საფუძვლიანი კვლევა მომავალი წლის გეგმაში იქნება შეტანილი. მიღებული ექსპერიმენტალური მონაცემების დამუშავების და მათი ფიზიკური და თეორიული ინტერპრეტაციის მიზნით შეიქმნა პლაზმური შეშფოთებების არაწრფივი დინამიკის აღმწერი ფიზიკური მოდელები. ამ მოდელებში გათვალისწინებულია შეშფოთებების გეოკოსმოსურ სივრცულად არაერთგვაროვან დინებებთან ურთიერთქმედების არაწრფივი მექანიზმები. ამ დინებებიდან ენერგეტიკულად ყველაზე მნიშვნელოვანია ზონალური ტიპის დინებები და გეოკოსმოსური გარემოს დინამიკისათვის მნიშვნელოვანია ზონალური დინებების პლანეტარული მასშტაბის ტალღებთან ურთიერთქმედების მექანიზმების დადგენა და ამ პროცესების თეორიული ანალიზი და რიცხვითი მოდელირება. იონოსფერულ ზონალურ წანაცვლებით დინებების და პლანეტარული მასშტაბის მოდიფიცირებული როსბის ტალღებისა და ხანთაძის ტალღების წრფივი კავშირი შესწავლილია არამოდალური მიდგომის საფუძველზე. ნაჩვენებია, რომ ამ კავშირის შედეგად, მოდიფიცირებული როსბის ტალღები აგენერირებენ ხანთაძის ტალღებს იონოსფეროსა და წანაცვლებითი დინების პარამეტრების საკმაოდ ფართე დიაპაზონისათვის. ასეთი კვლევების ძირითადი მიზანი იყო იონოსფერულ ზონალურ წანაცვლებით დინებებში ტალღების დინამიკის ახლებური გააზრება, კერძოდ, დინებების არაორთოგონალურობით განპირობებული პლანეტარული მასშტაბის მოდიფიცირებული როსბის ტალღებისა და სწრაფი მაგნიტური (ხანთაძის) ტალღების წრფივი კავშირის/ბმის შესწავლა არამოდალური მიდგომის საფუძველზე. ნაჩვენებია, რომ მოდიფიცირებული როსბის ტალღები აგენერირებენ სწრაფ მაგნიტურ ტალღებს ბმის გამო იონოსფეროსა და წანცვლებითი დინების პარამეტრების ფართო დიაპაზონისათვისდა წრფივი ტრანზიენტული პროცესები ხასიათდებიან ძლიერი ანიზოტროპულობით სპექტრალურ სიბრტყეში. მიღებულია დინების არაერთგვაროვნების პარამეტრები, როდესაც დამაგნიტებული ტალღების/ოსცილაციების გენერაცია არის ყველაზე მეტად ეფექტური. ჰოლის პარამეტრის ზრდის დროს ოპტიმალურად გენერირებული დამაგნიტებული ტალღების ჰარმონიკების დინების გასწვრივი ტალღური რიცხვი მცირდება. საანგარიშო პერიოდში ასევე შესწავლილია არაერთგვაროვანი ფონური ქარებით მართულ იონოსფეროში ზონალური დინების გენერაციის შესაძლებლობა და ფიზიკური მექანიზმი. გამოკვლეულია არაწრფივი (სკალარული და ვექტორული) ეფექტების როლი სასრული ამპლიტუდის მქონე ულტრა დაბალი სიხშირის (უდს) მოდების მიერ დიდმასშტაბიანი ზონალური დინებების ფორმირებაში. შესაბამისი განტოლებათა სისტემის თეორიული ანალიზის საფუძველზე შეშფოთებათა ამპლიტუდებისათვის მიღებულია განზოგადოებული ამოცანა საკუთარი რიცხვებისათვის, რომელიც ამოიხსნა რიცხვითი მეთოდების გამოყენებით. გამოვლენილ იქნა შედარებით მცირე მასშტაბიანი უდს ტალღიდან და ფონური ქარებიდან ენერგიის დიდმასშტაბიან ზონალურ დინებებში გადაქაჩვის თავისებურებები. ნაჩვენებია, რომ ზონალური დინების გენერაცია განპირობებულია სასრულ ამპლიტუდიანი დამაგნიტებული როსბის ტალღის და ფონური წანაცვლებითი დინების ზემოქმედებით. დედამიწის ატმოსფერის ერთ-ერთი დამაინტრიგებელი მოვლენა - ამინიდის ანომალიების ბლოკირება, ხშირად დაკავშირებული არის უძრავ ან ბლოკირებულ როსბის ტალღებთან ზონალურ დინებებში. კვაზიორგანზომილებიან დინებებში როსბის ტალღების აღსაწერად ტრადიციულად გამოიყენება პოტენციალური გრიგალის გადატანის განტოლების კვაზიგესტროფიული ფორმა - ობუხოვ-ჩარნის განტოლება. შრომაში აგებულია ამ განტოლების ზუსტ ამოხსნათა კლასი, რომელიც აღწერს როსბის ტალღებს ზონალურ დინებებში მუდმივი ჰორიზონტალური წანაცვლებით. ნაჩვენებია, რომ ტალღური დინამიკის განსაკუთრებულობები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ტალღის სიგრძის როსბის დეფორმაციის რადიუსთან შეფარდებაზე. თუკი ეს შეფარდება საკმაოდ დიდია, არსებობს ევოლუციის ხანგრძლივი კვაზისტაციონარული სტადია, რომლის განმავლობაშიც მერიდიონალური ტალღური რიცხვი და ტალღის სრული

	ენეგიის სიდიდე (რომელიც ახლოა მაქსიმალურ მნიშვნელობასთან) დროში პრაქტიკულად არ იცვლებიან. მოცემული მოვლენა რეალიზდება პოტნციალურ გრიგალში ატმოსფეროს თავისუფალი ზედაპირის დეფორმაციის განმსაზღვრელი წვლილის დროს. ნაჩვენებია, რომ ამ ეფექტმა როსბის ტალღების ფაზის და ამპლიტუდის ბლოკირების ახალი სცენარები შეიძლება განაპირობოს. კოსმოსური კვლევის ცენტრში დამუშავებულია სიგნალის დამუშავების და ადაპტური გაძლიერების ორიგინალური მეთოდი ანალოგური სიგნალების მონაცემების შეკრების სისტემებისთვის იმ მიზნით, რომ მივიღოთ ნებისმიერი შემავალი სიგნალის მაღალი გარჩევის მქონე სპექტრი. პროცედურა დაფუძნებულია სიგნალის გაძლიერების უკუკავშირის სქემაზე, რომელშიც მიიღება მაქსიმალური დინამიური დიაპაზონი და მონაცემთა შეკრების სისტემის მაქსიმალური გარჩევის უნარიანობა. დამუშავებულ მეთოდიკას გააჩნია უპირატესობები ცნობილ მეთოდებთან შედარებით და ამიტომ ჩვენს სექტორში მიღებული შედეგები და მეთოდები შეტანილია საერთაშორისო ცნობარში. ამ ნაშრომში წარმოდგენილია ანალოგური სიგნალების დამუშავების და რეგისტრაციის სისტემების სპექტრული გარჩევადობის ოპტიმიზაციის ორიგინალური მეთოდი, რომელიც ცვლადი გაძლიერებისა და უკუკავშირის მეთოდებს ეყრდნობა. მეთოდი გულისხმობს შესავალი ანალოგური სიგნალის გარდაქმნის, დიგიტალიზაციის და დამუშავების სამი ურთიერთდაკავშირებული მოდულის გამოყენებას სიგნალის სხვადასხვა სიხშირულ არხებად დაყოფის, კალიბრების შესაბამისი პროცედურების საშუალებით სხვადასხვა არხის სიგნალების ამპლიტუდების გათანაბრების (თითოეული არხისათვის შესაბამისი წონის მინიჭებით) და ერთი ანალოგურ-ციფრული გარდამქმნელის საშუალებით ყველა არხის დიგიტალიზაციის საშუალებით. ეს მიდგომა განაპირობებს ანალოგურ-ციფრული გარდამქმნელების ფუნქციონირების ოპტიმიზაციას მათი დინამიური დიაპაზონის მაქსიმიზაციის გზით. შედეგად მიიღება შემავალი ანალოგური სიგნალის ოპტიმიზებული სპექტროგრამები, მაგალითად, სიგნალის სპექტრის, როგორც დროის ფუნქციის სახით. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი მეთოდი განსაკუთრებით სასარგებლოა კოსმოსურ სივრცეში, ნებისმიერი ტიპის თანამგზავრულ სისტემებში მონაცემთა ანალიზისათვის, სადაც მოხმარებული სიმძლავრის ექსტრემალურად შემცირების და რადიაციის მიმართ ელექტრონული კომპონენტების გაზრდილი მდგრადობის მოთხოვნას დიდი მნიშვნელობა ენიჭება კოსმოსში არსებულ მძიმე (კერძოდ, მზის ქარის, დედამიწის მაგნიტოსფეროს, იონოსფეროს და ა.შ.) პირობებში ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით.

III. სახელმწიფო გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

N	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ელექტრომაგნიტური ამინდის შემქმნელი უდს ტალღური სტრუქტურების გენერაცია, ინტენსიფიკაცია და ურთიერთტრანსფორმაცია წანაცვლებითი დინებებით მართულ	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეც-ნიერო ფონდი. მონაწილეობს ი. ჯავახიშვილის თბილისის სახ. უნივერსიტეტი (ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი	ო. ხარშილაძე	ო.ხარშილაძე რ.ჭანიშვილი ხ.ჩარგაზია ნ.ფირცხალავა

	იონოსფეროში (2013-2016)	მათემატიკის ინსტ.. მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი)		

თეორიულად შესწავლილია არაერთგვაროვანი ფონური ქარებით მართულ იონოსფეროში ზონალური დინების გენერაცია. მიღებულია ჩარნი-ობუხოვის ტიპის განზოგადოებული განტოლება, რომელიც აღწერს ხუთი სხვადასხვა მასშტაბის მქონე მოდების არაწრფივ ურთიერთქმედებას: პირველადი, შედარებით მოკლეტალღოვანი ულტრადაბალი სიხშირის დამაგნიტებული როსბის ტიპის ტალღა, ორი სატელიტი, გრძელტალღოვანი ზონალური მოდა და ფონური წანაცვლებითი დინება (არაერთგვაროვანი ქარი). შესწავლილია არაწრფივი (სკალარული და ვექტორული) ეფექტების როლი სასრული ამპლიტუდის მქონე დამაგნიტებული როსბის ტიპის ტალღების მიერ დიდმასშტაბიანი ზონალური დინებების ფორმირებაში დისიპაციურ იონოსფეროში. შესაბამისი განტოლებათა სისტემის თეორიული ანალიზის საფუძველზე შეშფოთებათა ამპლიტუდებისათვის (საკუთარი რიცხვებისათვის განზოგადოებული ამოცანა) გამოვლენილ იქნა შედარებით მცირე მასშტაბიანი ულტრა დაბალი სიხშირის დამაგნიტებული როსბის ტალღიდან და ფონური ქარებიდან ენერგიის დიდმასშტაბიან ზონალურ დინებებში გადაქაჩვის ახალი თავისებურებები და ხუთტალღოვანი კოლექტიური აქტივობის არაწრფივი თვითორგანიზაციის მოვლენა იონოსფერულ გარემოში. ზონალური დინების გენერაცია განპირობებულია სასრულ ამპლიტუდიანი დამაგნიტებული როსბის ტალღის და ფონური წანაცვლებითი დინების ზემოქმედებით.

N	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2	თანამგზავრული დისტანციური ზონდირების საფუძველზე საქართველოს მყინვარების კვლევა. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერება, ჰიდროლოგია (დისტანციური ზონდირება). გრანტი FR/586/9-110/13	სსიპ `შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი~	ლარისა შენგელია	გიორგი კორძახია, გენადი თვაური

2015 წელს (II და III პერიოდები) პროექტის ძირითადი შედეგები.

- დადგინდა აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეული მყინვარების კონტურები
- განისაზღვრა ცალკეული მყინვარების მახასიათებლები (ფართობი, სიგრძე, ჰიპსომეტრია, ფირნის ხაზი, მინიმალური და მაქსიმალური სიმაღლეები)
- დადგინდა შესასწავლი მყინვარების თოვლის ხაზი.
- გერგეთის მყინვარისათვის შედგენილია თანამგზავრული მონაცემების ქრონოლოგიური რიგი 1977-2015 წლებისათვის და გამოთვლილია მყინვარის უკანდახევის საშუალო სიჩქარე. განისაზღვრა გერგეთის მყინვარის უკანდახევის ტრენდი 1977-2001 წწ და 2001-2015 წწ. პერიოდებისათვის.
- განსაზღვრულია ცალკეული მყინვარების ჰიპსომეტრული მრუდი და მისი

საშუალებით განისაზღვრა მყინვარის აბლაციის და აკუმულაციის ფართობები.

- განხორციელდა მიღებული შედეგების ვალიდაცია, ანალიზი და ვიზუალიზაცია გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების საშუალებით.

მიღებული შედეგები გამოქვეყნებულია პუბლიკაციების სახით და მოხსენებულია საერთაშორისო კონფერენციებზე.

IV. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

N	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	ხარშილაძე ო. ჩარგაზია ხ.	Zonal Flow and Stremaer Generation by Small – Scale Drift-Alfven Waves in Ionosphere Plasma / Journal of Georgian Geophysical Society, Issue B – Physics of Atmosphere and Ocean.	18b,	თბილისი, საქართველო	14
შესწავლილია ზონალური დინებების, სტრიმერებისა და კოჰერენტული სტრუქტურების გენერაცია მოდულაციურად არამდგრადი მცირე მასშტაბიანი დრეიფული ალფვენის ტალღების მიერ. ნაჩვენებია, რომ აღნიშნული ტალღური სტრუქტურების გენერაცია ძლიერად არის დამოკიდებული მცირე მასშტაბიანი დრეიფული ალფვენის ტალღების მიმართულებაზე.					
2	ჩარგაზია ხ., ხარშილაძე ო., ჯ. როგავა		18ბ,	თბილისი, საქართველო	28
3	ჩარგაზია ხ., ხარშილაძე ო.	Simulation of Burridge-Knopoff Model // Reports of Enlarged Sessions of the Seminar of I.Vekua Institute of Applied Mathematics	29	თბილისი, საქართველო	4
ჩატარებულია ბურიჯ-კნოპოვის მოდელის რიცხვითი სიმულაცია. გამოყენებულია დისკრეტული მოდელი. დისკრეტული მოდელი ავლენს როგორც პერიოდულ რხევებს, ასევე ქაოტურ მოძრაობებს. გამოვლენილია, რომ სისტემის გადასვლა ქაოსურ მდგომარეობაში არის ზომაზე დამოკიდებული (სისტემაში შემავალი ბლოკების რაოდენობაზე). მოდელში გამოყენებულია დიტრიხ-რუინას არაწრფივი ხახუნის ძალა, რომელიც ასევე არის მასშტაბებზე დამოკიდებული და წარმოადგენს თვლის სირთულეს. განსაზღვრულია ქაოსური მდგომარეობაში გადასვლის კრიტიკული პარამეტრის მნიშვნელობა.					
4	თვაური გ., ლომიძე ნ., ქორიძე ქ. ჯინჯოლია ტ.	თოვლის საფარის სივრცითი და დროითი მახასიათებლების	Journal of the Georgian Geophysical Society.	მ.ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი, თბილისი	გადაცემულია დასაბეჭდად

		შესწავლა DIS თოვლის მონაცემების საფუძველზე			
საქართველოში თოვლის სეზონური საფარის შესწავლის მიზნით გამოყენებულია Terra MODIS თოვლის მონაცემები. საქართველოს 12 რეგიონისათვის შესწავლილია თოვლის საფარის სივრცითი და დროითი განაწილება 2000-2014 წწ იანვარი-დეკემბრის პერიოდისათვის. მიღებულია თოვლის საფარის დინამიკის მონაცემები. გამოკვლევა მოწმობს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე თოვლის საფარის ფართობი კლებულობს, სიმაღლე ზღვის დონიდან მატულობს.					
5	ლ. შენგელია, გ. კორძახია, გ. თვაური, ვ. ცომაია, მ. ძაძამია.	თანამგზავრული დისტანციური ზონდირების საფუძველზე აღმოსავლეთ საქართველოს მცირე მყინვარების კვლევა.	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული, N121, 104-111, 2015.	თბილისი	8
სტატიაში მოყვანილია აღმოსავლეთ საქართველოს მცირე მყინვარების სამეცნიერო კვლევის შედეგები. კვლევაში გამოყენებულია მაღალი სივცითი გარჩევადობის თანამგზა ვრული მონაცემები. სამუშაო შესრულებულია სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამე ცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის პროექტის ღ /586/9-110/13 ფარგლებში.					
6	ლ. შენგელია, გ. კორძახია, გ. თვაური, ვ. ცომაია, მ. ძაძამია.	აღმოსავლეთ საქართველოს მცირე მყინვარების კვლევა თანამგზავრული დისტანციური ზონდირების და GIS ტექნოლოგიების გამოყენებით	სამეცნიერო-რეფერირებული ჟურნალი „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ №2 (719), 2015	თბილისი	9
განხილულია აღმოსავლეთ საქართველოს მცირე მყინვარების ძირითადი მახასიათებლების განსაზღვრა თანამგზავრული დისტანციური ზონდირებისა და GIშ (გეო-საინფორმაციო სისტემები) ტექნოლოგიების გამოყენებით. ნაჩვენებია, რომ თანამგზავრული დისტანციური ზონდირება და GIშ ტექნოლოგიები მნიშვნელოვანი ინოვაციაა, რომელთა საშუალებით მცირე მყინვარების ძირითადი მახასიათებლების განსაზღვრა საიმედო შედეგებს იძლევა. ამ შედეგებზე დაყრდნობით მიღებულია					

ბ) უცხოეთში

სტატიები

N	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ჩაგელიშვილი გ., ჩხეტიანი ო.გ. კალაშნიკ მ.ვ.	Dynamics and blocking of Rossby waves in quasi-two-dimensional shear flows (როსბის ტალღების დინამიკა და ბლოკირება	2015, **101**, 79-84	ინგლისი/ Cambridge University Press	6

		კვაზიორგანზომილებია ნ წანაცვლებით დინებებში)/ JETP Letters,			
დედამიწის ატმოსფერის ერთ-ერთი დამაინტრიგებელი მოვლენა - ამინიდის ანომალიების ბლოკირება, ხშირად დაკავშირებული არის უძრავ ან ბლოკირებულ როსბის ტალღებთან ზონალურ დინებებში. კვაზიორგანზომილებიან დინებებში როსბის ტალღების აღსაწერად ტრადიციულად გამოიყენება პოტენციალური გრიგალის გადატანის განტოლების კვაზიგესტროფიული ფორმა - ობუხოვ-ჩარნის განტოლება. შრომაში აგებულია ამ განტოლების ზუსტ ამოხსნათა კლასი, რომელიც აღწერს როსბის ტალღებს ზონალურ დინებებში მუდმივი ჰორიზონტალური წანაცვლებით. ნაჩვენებია, რომ ტალღური დინამიკის განსაკუთრებულობები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ტალღის სიგრძის როსბის დეფორმაციის რადიუსთან შეფარდებაზე. თუკი ეს შეფარდება საკმაოდ დიდია, არსებობს ევოლუციის ხანგრძლივი კვაზისტაციონარული სტადია, რომლის განმავლობაშიც მერიდიონალური ტალღური რიცხვი და ტალღის სრული ენეგიის სიდიდე (რომელიც ახლოა მაქსიმალურ მნიშვნელობასთან) დროში პრაქტიკულად არ იცვლებიან. მოცემული მოვლენა რეალიზდება პოტნციალურ გრიგალში ატმოსფეროს თავისუფალი ზედაპირის დეფორმაციის განმსაზღვრელი წვლილის დროს. ნაჩვენებია, რომ ამ ეფექტმა როსბის ტალღების ფაზის და ამპლიტუდის ბლოკირების ახალი სცენარები შეიძლება განაპირობოს.					
2	ჰაუ ჯ.ნ., ჩაგელიშვილი გ., ხუჯაძე გ., ობერლეკ მ., თევზაძე ა.	A comparative numerical analysis of linear and nonlinear aerodynamic sound generation by vortex disturbances in homentropic constant shear flows (შედარებითი რიცხვითი ანალიზი წრფივი და არაწრფივი აეროდინამიური ბგერის გენერაციისა ჰომენტროპულ დინებებში მუდმივი წანაცვლებით), / Physics of Fluids	2015, 27, 126101-29	ინგლისი/ Cambridge University Press	21
შეისწავლება აეროდინამიური ბგერის გენერაცია წანაცვლებით დინებებში ჰიდროდინამიკური მდგრადობის თეორიაში წინა საუკუნის 90-იანი წლების გარღვევის ფონზე, რომელიც განაპირობა „არანორმალურ“ წანაცვლებით დინებიანი სისტემების არსებითი მოვლენების გააზრებამ. აღწერის ოპტიმალური - მცირე-დროითი - მოდგომის შემუშავებამ . ამ, ე.წ., არამოდალური მიდგომის საფუძველზე დადგინდა გრიგალებისაგან ტალღების წრფივი გენერაციის ერთადერთი მექანიზმი. ეს არის დინების „არანორმალურობით“ ინიცირებული წრფივი მოდების ბმა რომელიც ეფექტური ხდება ზომიერი მახის რიცხვების დროს. შესწავლილია ორგანზომილებიანი ჰომენტროპული დინება მუდმივი წანაცვლებით და ფოკუსირება გაკეთებულია დინამიურ მახასიათებლებზე სპექტრალურ სიბრყეში. ამან საშუალება მოგვცა ერთმანეთისაგან განგვეცალკევებია დინამიური პროცესების მონაწილეები - გრიგალური და ტალღური მოდები და შეგვეფასებია ტალღების გენერაციის წრფივი პროცესის ეფექტურობა. ეს პროცესი ანალიზებული და ვიაზუალიზებულია გრიგალური მოდის პაკეტის მაგალითზე, რომელიც ლოკალიზებულია როგორც სპექტრალურ, ასევე ფიზიკურ სიბრტყეში. შემდგომ, პირდაპირი რიცხვითი გამოთვლების გამოყენებით, ქაოსურად განაწილებული					

გრიგალური მოდით ტალღების გენერაცია გავაანალიზეთ და დინამიკაში ჩართული წრფივი და არაწრფივი პროცესების იდენტიფიკაცია მოვახდინეთ. წრფივი მექანიზმით გენერირებული აკუსტიკური ველი ანიზოტროპულია სპექტრალურ სიბრტყეში და განაპირობებს მკვეთრად მიმართული ბგერის გამოსხივებას, მაშინ როდესაც არაწრფივი მექანიზმებით გენერირებული ტალღები ვრცელდებიან ყველა მიმართულებით. ვაჩვენეთ წრფივი აეროდინამიური ბგერის გენერირების დომინანტობა პრაქტიკულად მნიშვნელოვანი შემთხვევებისათის. ვაჩვენეთ ლაიტჰილის აკუსტიკური ანალოგიის თეორიის ბგერის წყარის წრფივი წევრის ტოპოლოგიური შეუსაბამობა დინების „არანორმალურობით“ გენერირებულ ტალღებთან.					
3	მამაცაშვილი გ., დონგ ს., ხუჯაძე გ., ჩაგელიშვილი გ., ჯიმენეს ჯ., ფოიში ჰ.	Dynamics of homogeneous shear turbulence – a key role of the nonlinear transverse cascade in the bypass concept (ჰომოგენური წანაცვლებითი ტურბულენტობის დინამიკა - არაწრფივი გვერდითი კასკადის საკვანძო როლი „ბაიფასს“ კონცეფციაში)/ Phys. Rev. E.	Submitted 2015,	ამერიკის შეერთებული შტატები APS Physics	21
შესრულებულია ჰომოგენური წანაცვლებითი ტურბულენტობის პირდაპიური რიცხვითი თვლები სპექტრალურად მდგრადი სუბკრიტიკული ტურბულენტობის თვითშენაჩუნების მექანიზმის გასააზრებლად. ტურბულენტობის დინამიკა გაანალიზებულია სპექტრალურ სივრცეში თვლის ბოქსის გვერდების სიგრძეების სხვადასხვა ფარდობის დროს. ნაჩვენებია, რომ წრფივი პროცესების ანიზოტროპია განაპირობებს არაწრფივი პროცესების ანიზოტროპიას, რაც გამოიხატება იმაში, რომ მთავარი არაწრფივი პროცესები არიან არა პირდაპირი ან შებრუნებული კასკადი, არამედ გვერდითი კასკადი - ჰარმონიკების კუთხური გადანაწილება სპექტრალურ სივრცეში. ასევე ნაჩვენებია, რომ ტურბულენტობა ნარჩუნდება წრფივი ტრანზიენტული, ანუ, არამოდალური წრდისა და არაწრფივი გვერდითი კასკადის სპეციფიური თანაქმედებით. ეს სპეციფიური თანაქმედება ძირითადად ხდება დიდი მასშტაბის ჰარმონიკებში რომელთა ზომა ბოქსის ზომის თანადარია. შესაბამისად, სპექტრალური სივრცის ეს დიდმასშტაბოვანი არეალი გადამწყვეტია - ტურბულენტობის თვითშენარჩუნების პროცესები ძირითადად აქაა თავმოყრილია. მას ტურბულენტობის თვითშენარჩუნების სასიცოცხლო არეალი ვუწოდეთ. სასიცოცხლო არეალის გარეთ, ფურიე ჰარმონიკების ენერგია გადაიტანება დისიპატიურ მასშტაბებამდე ჩვეულებრივი წრფივი კასკადით. მიუხედავად იმისა, რომ კასკადებისა და, ზოგადად, ტურბულენტობის თვითშენარჩუნების პროცესები თვისობრივად მსგავსია თვლის ბოქსის გვერდების სიგრძეების სხვადასხვა ფარდობის დროს, ადგილი აქვს გარკვეულ რაოდებობრივ სხვაობას - ჰარმონიკათა რიცხვი, რომლების აქტიურ მონაწილეობას იღებენ თვითშენარჩუნების პროცესში მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული გვერდების სიგრძიეების ფარდობაზე (36, 86, 209 ჰარმონიკა შრომაში განხილული გვერდების სიგრძიეების ფარდობებისათვის). ეს მიუთითებს, რომ ჰომოგენური წანაცვლებითი ტურბულენტობის თვითშენარჩუნების პროცესი მეტად რთულია და არ აღიწერება დაბალი რიგის მოდელებით.					
4	ჭანიშვილი რ, ჩაგელიშვილი გ უჩავა ე.,	Linear coupling of planetary scale waves in ionospheric zonal shear	Submitted 2015,	ამერიკის შეერთებული შტატები	7

	ხარშილაძე ო.	winds: generation of fast magnetic waves (პლანეტარული მასშტაბის ტალღების წრფივი ბმა იონოსფერულ ზონალურ წანაცვლებით ქარებში: სწრაფი მაგნიტური ტალღების გენერაცია) /Physics of Plasmas		American Institute of Physics,	

იონოსფერულ ზონალურ წანაცვლებით დინებების არაორთოსოგონალურობით განპირობებული პლანეტარული მასშტაბის მოდიფიცირებული როსბის ტალღებისა და ხანთაძის ტალღების წრფივი კავშირი შესწავლილია არამოდალური მიდგომის საფუძველზე. ნაჩვენებია, რომ ამ კავშირის შედეგად, მოდიფიცირებული როსბის ტალღები აგენერირებენ ხანთაძის ტალღებს იონოსფეროსა და წანაცვლებითი დინების პარამეტრების საკმაოდ ფართე დიაპაზონისათვის.

კვლევის მიზანია იონოსფერულ ზონალურ წანაცვლებით დინებებში ტალღების დინამიკის ახლებური გააზრება, კერძოდ, დინებების არაორთოგონალურობით განპირობებული პლანეტარული მასშტაბის მოდიფიცირებული როსბის ტალღებისა და სწრაფი მაგნიტური (ხანთაძის) ტალღების წრფივი კავშირის/ბმის შესწავლა არამოდალური მიდგომის საფუძველზე. ნაჩვენებია, რომ: ა) მოდიფიცირებული როსბის ტალღები აგენერირებენ სწრაფ მაგნიტურ ტალღებს ბმის გამო იონოსფეროსა და წანცვლებითი დინების პარამეტრების ფართო დიაპაზონისათვის; ბ) წრფივი ტრანზიენტული პროცესები ხასიათდებიან ძლიერი ანიზოტროპულობით სპექტრალურ სიბრტყეში; გ) დამაგნიტებული ტალღების/ოსცილაციების გენერაცია ყველაზე მეტად ეფექტურია S=0.1-ის დროს (S არის წანაცვლების პარამეტრი ნორმირებული პლანეტის კუთხური სიჩქარისა და განედის კოსინუსის ნამრავლზე); დ) ჰოლის პარამეტრის ზრდის დროს ოპტიმალურად გენერირებული დამაგნიტებული ტალღების ჰარმონიკების დინების გასწვრივი ტალღური რიცხვი მცირდება.

5	ხარშილაძე ო., ჩარგაზია ხ.	Background Non-Uniform Wind Effect on Large Scale Zonal Flow Generation by ULF Modes. EPSC Abstracts. EPSC2015-357	10	ნანტი, საფრანგეთი	2

თეორიულად შესწავლილია არაერთგვაროვანი ფონური ქარებით მართულ იონოსფეროში ზონალური დინების გენერაცია. შესაბამისი განტოლებათა სისტემის თეორიული ანალიზის საფუძველზე შეშფოთებათა ამპლიტუდებისათვის (საკუთარი რიცხვებისათვის განზოგადოებული ამოცანა) გამოვლენილ იქნა შედარებით მცირე მასშტაბიანი ულტრა დაბალი სიხშირის დამაგნიტებული როსბის ტალღიდან და ფონური ქარებიდან ენერგიის დიდმასშტაბიან ზონალურ დინებებში გადაქაჩვის თავისებურებები იონოსფერულ გარემოში.

6	ო. ხარშილაძე, ხ. ჩარგაზია	Investigation of the Strong Turbulence in the Geospace Environment // Advances in Radio Sciences	13, 243-250, 2015	გიოტინგენი, გერმანია	8

მაგნიტოსფერულ პლაზმაში შესწავლილია გრიგალური სტრუქტურები, რომლებიც ხშირად დაიმზირება ტანამგზავრული მისიებით რეალურ გარემოში.დიდმაშტაბიანი გრიგალები შეესაბამება ტურბულენტობის მასშტაბს, ამიტომ მათი წარმოშობის გააზრება წარმოადგენს მნიშვნელოვან ამოცანას ენერგიის ურთიერთგაცვლის პროცესების გამოსაკვლევად. ამ მიზნით

რეალურ მონაცემებზე დაყრდნობით მაგნიტოსფეროს კუდში გამოვლენილია ძლიერად ლოკალიზებული გრიგალების ერთობლიობა, მათ მიერ ტურბულენტური მდგომარეობის ჩამოყალიბება. აღნიშნული სტრუქტურებისათვის შეფასებულია სიმძლავრის სპექტრები, რომელიც წარმოადგენს გრიგალური სტრუქტურების კარგ მახასიათებელს.					
7	გ. კორძახია, ლ. შენგელია, გ. თვაური, ვ. ცომაია, მ. ძაძამია	აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეული მყინვარების თანამგზავრული დისტანციური მონაცემების საფუძველზე // The Egyptian Journal of Remote Sensing and Space Sciences	Volume 18, Issue 1	http://www.sciencedirect.com/science/article/pii/S1110982315000265	7
სტატიაში წარმოდგენილია დისტანციური ზონდირების მეთოდებითა და მაღალი გარჩევადობის თანამგზავრული ინფორმაციის გამოყენებით აღმოსავლეთ საქართველოს მყინვარების შესწავლის შედეგები.					
8	ლ.დ.შენგელია გ.ი კორძახია, გ.ა. თვაური	საქართველოს ცალკეული მყინვარების კვლევის მეთოდოლოგია და შედეგები დისტანციური ზონდირების საფუძველზე.// LXVIII საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის, "გეოგრაფია: მეცნიერებისა და განათლების განვითარება" მიძღვნილი იუნესკოს 70 წლისთავისადმი, კოლექტიური მონოგრაფია,	2015, 22-25 აპრილი	სანკტ-პეტერბურგი,	7
განხილულია დისტანციური ზონდირების ინოვაციური მეთოდებით და მაღალი სივრცითი გარჩევადობის თანამგზავრული მონაცემების გამოყენებით საქართველოს მყინვარების კვლევის მეთოდოლოგია და მოცემულია ცალკეული მყინვარების მახასიათებლები.					
9	გ.კორძახია, ლ. შენგელია, გ. თვაური, მ. ძაძამია.	თანამგზავრული დისტანციური ზონდირების მონაცემებით მყინვარ დევდორაკის	Volume 4, Issue 3, May 2015, Pages: 14-21)	http://www.sciencepublishinggroup.com/journal/paperinfo?journalid=163&doi=10.11648/	7

		შესწავლა და ჩამოქცევების ანალიზი ისტორიულ ჭრილში.//(American Journal of Environmental Protection		j.ajep.s.2015040301.13	
სტატიაში განხილულია და ისტორიულ ჭრილში გაანალიზებულია აქტუალური საკითხი – მყინვარ დევდორაკის ჩამოქცევები. გამოყენებულია ავტორების მიერ დამუშავებული მყინვარ დევდორაკის თანამგზავრული დისტანციური ზონდირებით მიღებული მონაცემები.					
10	ლივიო კონტი, ვიტორიო სგრინია, დავით ზილფიმიანი, დარიო ასანტე	მონაცემთა რეგისტრირებისა და დამუშავების სისტემები / Handbook of Measurements: Benchmarks for Systems Accuracy and Precesion, ISBN 9781482225228 - CAT# K22411 Series: Industrial Innovation Series	November 3, 2015 p.303-314	CRC PRESS	12
ნაშრომში წარმოდგენილია ანალოგური სიგნალების დამუშავების და რეგისტრაციის სისტემების სპექტრული გარჩევადობის ოპტიმიზაციის ორიგინალური მეთოდი, რომელიც ცვლადი გაძლიერებისა და უკუკავშირის მეთოდებს ეყრდნობა. მეთოდი გულისხმობს შესავალი ანალოგური სიგნალის გარდაქმნის, დიგიტალიზაციის და დამუშავების სამი ურთიერთდაკავშირებული მოდულის გამოყენებას სიგნალის სხვადასხვა სიხშირულ არხებად დაყოფის, კალიბრების შესაბამისი პროცედურების საშუალებით სხვადასხვა არხის სიგნალების ამპლიტუდების გათანაბრების (თითოეული არხისათვის შესაბამისი წონის მინიჭებით) და ერთი ანალოგურ-ციფრული გარდამქმნელის საშუალებით ყველა არხის დიგიტალიზაციის საშუალებით. ეს მიდგომა განაპირობებს ანალოგურ-ციფრული გარდამქმნელების ფუნქციონირების ოპტიმიზაციას მათი დინამიური დიაპაზონის მაქსიმიზაციის გზით. შედეგად მიიღება შემავალი ანალოგური სიგნალის ოპტიმიზებული სპექტროგრამები, მაგალითად, სიგნალის სპექტრის, როგორც დროის ფუნქციის სახით. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი მეთოდი განსაკუთრებით სასარგებლოა კოსმოსურ სივრცეში, ნებისმიერი ტიპის თანამგზავრულ სისტემებში მონაცემთა ანალიზისათვის, სადაც მოხმარებული სიმძლავრის ექსტრემალურად შემცირების და რადიაციის მიმართ ელექტრონული კომპონენტების გაზრდილი მდგრადობის მოთხოვნას დიდი მნიშვნელობა ენიჭება კოსმოსში არსებულ მძიმე (კერძოდ, მზის ქარის, დედამიწის მაგნიტოსფეროს, იონოსფეროს და ა.შ.) პირობებში ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით.					

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
ა) საქართველოში

N	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის დასახელება, ჩატარების დრო და ადგილი

1	ე. უჩავა, ა. თევზაძე,	უკუმშვადი ანიზოტროპული მჰდ დინების დინამიკა სითბური ნაკადებით	ფიზიკის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, III საერთაშორისო კონფერენცია, 2 - 7 თებერვალი, 2015; თბილისი, საქართველო
წარმოდგენილ ნაშრომში შესწავლილია ანიზოტროპული მჰდ წანაცვლებითი დინების წრფივი დინამიკა 16-იმპულსურ მიახლოებაში სითბური ნაკადების გათვალისწინებით. აღნიშნული მიდგომის წარმატება უკვე ნანახია კუმშვადი მოდების შესწავლისას ანისოტროპულ წანაცვლებით დინებებში. ანალიზი ეფუძვნება დაბალსიხშირულ ზღვარს, როდესაც შესაძლებელია კუმშვადი ეფექტების უგულვებელყოფა და ამოცანის უკუმშვადი წრფივი სპექტრის შესწავლა. ამ მიახლოებაში ნაპოვნია ამოცანის წრფივი ინვარიანტი რომელიც გამოწვეულია რადიალური დინებისა და განივი სითბური ნაკადების ურთიერთქმედებით არაერთგვაროვან დინებაშ გასწვრივი ფონური მაგნიტური ველის პირობებში. ნაპოვნია ინვარიანტის ზოგადი ფორმა, რომელიც ინახება დინების არაერთგვაროვნების გათვალისწინებითაც. ნაჩვენებია დინების ლოკალური აჩქარების ეფექტები, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს ამ ტიპის შენახვადი სიდიდის არსებობამ მაგნიტური ანიზოტროპიისა და სითბური ნაკადების პირობებში. ინვარიანტის ანალიზური ფორმა საშუალებას იძლევა შევისწავლოთ შლანგურ არამდგრადობაზე სიჩქარის არაერთგვაროვნების ეფექტები. ნაჩვენებია, რომ რადიალური დინების წანაცვლება ახდენს შლანგური არამდგრადობის წრფივ სტაბილიზაციას. განხილულია წრფივი შეშფოთებათა ანალიზის ფარგლებში მიღებული შედეგების შესაძლო გამოვლინებები მზისა და ვარსკვლავების ქარების დაკვირვებებში.			
2	ოლეგ ხარშილაძე, ხათუნა ჩარგაზია	ფონური ქარის გავლენა უდს მოდების მიერ დიდმასშტაბიანი ზონალური ქარის გენერაციაზე	საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის საერთაშორისო კონფერენცია // ბათუმი, საქართველო 12-16 ივლისი, 2015.
შესწავლილია არაერთგვაროვანი ფონური ქარებით მართულ იონოსფეროში ზონალური დინების გენერაცია. შესწავლილია არაწრფივი (სკალარული და ვექტორული) ეფექტების როლი სასრული ამპლიტუდის მქონე ულტრა დაბალი სიხშირის (უდს) მოდების მიერ დიდმასშტაბიანი ზონალური დინებების ფორმირებაში დისიპაციურ იონოსფეროში. შესაბამისი განტოლებათა სისტემის თეორიული ანალიზის საფუძველზე შეშფოთებათა ამპლიტუდებისათვის (საკუთარი რიცხვებისათვის განზოგადოებული ამოცანა) გამოვლენილ იქნა შედარებით მცირე მასშტაბიანი უდს ტალღიდან და ფონური ქარებიდან ენერგიის დიდმასშტაბიან ზონალურ დინებებში გადაქაჩვის თავისებურებები. ნაჩვენებია, რომ ზონალური დინების გენერაცია განპირობებულია სასრულ ამპლიტუდიანი დამაგნიტებული როსბის ტალღის რეინოლდსის ძაბვით და ფონური წანაცვლებითი დინების ზემოქმედებით.			
3	ხარშილაძე ო. ჩარგაზია ხ.	წანაცვლებითი დინების გავლენა უდს ტალრების მიერ დიდმასშტაბიანი ზონალური მოძრაობების წარმოშობაზე.	საქართველოს მექანიკოსთა კავშირის VI ყოველწლიური საერთაშორისო // 29.09 – 04.10 2015, თბილისი, საქართველო.
შესწავლილია არაერთგვაროვანი წანაცვლებითი დინებებით განპირობებულ იონოსფეროში ზონალური დინების წარმოშობა. შესაბამისი განტოლებათა სისტემის თეორიული ანალიზის საფუძველზე შეშფოთებათა ამპლიტუდებისათვის (საკუთარი რიცხვებისათვის განზოგადოებული ამოცანა) გამოვლენილ იქნა შედარებით მცირე მასშტაბიანი უდს ტალღიდან და წანაცვლებიტი დინებებიდან ენერგიის დიდმასშტაბიან ზონალურ მოძრაობებში გადაქაჩვის თავისებურებები.			
4	ჩარგაზია ხ., ხარშილაძე ო.,	არაწრფივი დინამიკური	TICSAM – 2015, 2015

	როგავა ჯ.	განტოლებების თეორიული ანალიზი და რიცხვითი სიმულაცია წანაცვლებითი დინებით განპირობებულ დისიპაციურ იონოსფეროში	კომპიუტერულ მეცნიერებებსა და გამოყენებით მათემატიკაში საერთაშორისო კონფერენცია // 21-23 მარტი, Tbilisi, Georgia.
დისიპაციურ იონოსფეროში ზონალურ წანაცვლებით დინებებში ეფექტურია არამოდალური მიდგომა. არამოდალური მიდგომით შესწავლილია პლანეტარული მასშტაბის როსბის ტალღებისა და უდს ჩქარი ტალღების ინდუცირებული წრფივი კავშირის არაორთოგონალურობა. ნაჩვენებია, რომ ამ კავშირის გამო გენერირდებიან უდს ელექტრო მაგნიტური ტალღები იონოსფერული და წანაცვლებითი დინებების პარამეტრების საკმაოდ ფართე დიაპაზონისათვის.			
5	ხარშილაძე ო., ჩარგაზია ხ., ჭანიშვილი რ.	ზონალური დინებებისა დიდმასშტაბიანი მაგნიტური ველების არაწრფივი გენერაცია უდს ტალღების მიერ და ამ ტალღების ურთიერთ ტრანსფორმაცია იონოსფეროში, სატელიტური მონაცემების ანალიზი	მესამე საერთაშორისო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი // 2- 7 – თებერვალი . თბილისი, საქართველო
თეორიულად შესწავლილია ტურბულენტურ არაერთგვაროვანი ფონური ქარებით მართულ იონოსფეროში ზონალური დინებისა და მაგნიტური ველების არაწრფივი გენერაცია. შესწავლილია არაწრფივი (სკალარული და ვექტორული) ეფექტების როლი სასრული ამპლიტუდის მქონე დამაგნიტებული ტალღების მიერ დიდმასშტაბიანი ზონალური დინებებისა და მაგნიტური ველების ფორმირებაში დისიპაციურ იონოსფეროში. გამოყენებულ იქნა მოდიფიცირებული პარამეტრული მოდგომა. გამოკვლეულია უდს ტალრების უღტიერთტრანსფორმაციის ამოცანა ცანაცვლებითი დინებებით განპირობებულ იონოსფეროში. ცატარებულ იქნა რეალურ სატელიტურ მონაცემთა ანალიზი.			
6	ჩარგაზია ხ., ხარშილაძე ო.,	ფრიქციული ავტორხევები მიწისძვრის მარტივ მოდელებში	თბილისის სამეცნიერო ფესტივალი მათემატიკისა და ინფორმატიკის გამოყენება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და ინჟინერიაში
სეისმური პროცესების მოდელირების მიზნით განხილულია ტექტონიკური ფილების მოძრაობის დინამიკა ხახუნის ძალის შტრიბეკ-ეფექტის გათვალისწინებით. მარტივი ერთბლოკიანი სისტემის ჰაიკინის ამოცანაში ბლოკის დაბალი სიჩქარეებისათვის მიღებულია ვანდერპოლის განტოლება, რომელიც აღწერს ფრიქციულ ავტორხევებს. ამ მოდელში ნაჩვენებია „stick-slip“ დინამის არსებობა, რომლის შესწავლა აქტუალურია მიწისძვრის პროცესების შესაძლო მექანიზმის გამოსავლენად. განხილულია ორი ბმული ვანდერპოლის ოსცილატორის დინამიკა, რომელშიც გარე პერიოდული ძალის არსებობისას დაბალსიხშირული პერიოდული „ტექტონიკური“ სიგნალის ფონზე გამოვლენილია მაღალსიხშირული „სეისმური“ რხევები. ასეთი სიგნალები მიღებულია რეალური სეისმური გაფილტრული სიგნალებიდან, რაც გვიჩვენებს მოდელის კარგ თვისობრივ თანხვედრას რეალურ სეისმურ დაკვირვებებთან. რიცხვითი მეთოდების გამოყენებით ასევე შესწავლილია ერთი და ორ-ბლოკიანი სისტემების არაწრფივი დინამიკა მშრალი ხახუნის სხვადასხვა ანალიზური მოდელის საშუალებით სიჩქარის შეზღუდვის გარეშე და ნაჩვენებია როგორც			

„stick-slip“ მოძრაობის, ასევე დეტერმინირებული ქაოსის შესაძლებლობა შტრიბეკ-ეფექტის გათვალისწინებით. რეგულარული და ქაოსური მოძრაობები თვისობრივად შესწავლილია მოდელში მიეღებული სიგნალების სპექტრალური ანალიზით, ბიფურკაციული დიაგრამებით და ფაზური ტრაექტორიების პუანკარეს კვეთების აგებით. დეტერმინირებული ქაოსის არსებობა ასეთ მარტივ მოდელებშიც პრობლემურს ხდის მიწისძვრის პროგნოზირებას, მაგრამ იძლევა პროცესის ფიზიკურ სურათს.			
7	გიორგი კორძახია, გ.თვაური	თანამგზავრული დისტანციური ზონდირების მონაცემებით მყინვარ დევდორაკის შესწავლა და ჩამოქცევების ანალიზი ისტორიულ ჭრილში.	საერთაშორისო კონფერენცია ”გამოყენებითი ეკოლოგია: პრობლემები, სიახლეები“ ICAE-2015, 2015 წლის 7-10 მაისი, ქ.ქ. თბილისი-ბათუმი
განხილული და გაანალიზებულია აქტუალური საკითხი მყინვარ დევდორაკის ჩამოქცევები. თანამგზავრული დისტანციური ზონდირების მონაცემებით შესწავლილია მყინვარი დევდორაკი და გაანალიზებულია ჩამოქცევები ისტორიულ ჭრილში.			
8	ლარისა შენგელია, გ.თვაური	თანამგზავრული დისტანციური ზონდირების საფუძველზე აღმოსავლეთ საქართველოს მცირე მყინვარების კვლევა	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის მაისის სამეცნიერო სესია, 2015 წლის 28 მაისი
მოყვანილია აღმოსავლეთ საქართველოს მცირე მყინვარების სამეცნიერო კვლევის შედეგები. კვლევაში გამოყენებულია მაღალი სივრცითი გარჩევადობის თანამგზავრული მონაცემები.			

2) უცხოეთში

N	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის დასახელება, ჩატარების დრო და ადგილი
1	ჩარგაზია ხ., ხარშილაძე ო.	შიდა გრავიტაციური ტალღების ტრანზიენტული ზრდა იონოსფეროში წანაცვლებითი დინებების არსებობისას	გენერალური ასამბლეა 2015. 12-17 აპრილი. ვენა, ავსტრია.
შესწავლილია შიდა გრავიტაციური ტალღების (შგტ) გაძლიერებისა და ტრანზიენტული ზრდის წრფივი მექანიზმი უწყვეტად სტრატიფიცირებულ იონოსფეროში არაერთგვაროვან ქარებთან უერთიერთქმედებისას. ნაჩვენებია, რომ შგტ-ს გაძლიერება დროის მიხედვით არ მიმდინარეობს ექსპონენციალურად, არამედ ალგებრულ ხარისხოვანი წესით.			
2	ჩარგაზია ხ., ხარშილაძე ო.	ზონალური დინებებისა დიდმასშტაბიანი მაგნიტური ველების არაწრფივი გენერაცია უდს ტალღების მიერ, სატელიტური მონაცემების ანალიზი	26-ე გეოდეზიისა და გეოფიზიკის საერთაშორისო კავშირის გენერალური ასამბლეა. პრაღა, ჩეხეთი. 22 ივნისი - 2 ივლისი, 2015
თეორიულად შესწავლილია ტურბულენტურ არაერთგვაროვანი ფონური ქარებით მართულ იონოსფეროში ზონალური დინებისა და მაგნიტური ველების არაწრფივი გენერაცია.			

შესწავლილია არაწრფივი (სკალარული და ვექტორული) ეფექტების როლი სასრული ამპლიტუდის მქონე დამაგნიტებული ტალღების მიერ დიდმასშტაბიანი ზონალური დინებებისა და მაგნიტური ველების ფორმირებაში დისიპაციურ იონოსფეროში. გამოყენებულ იქნა მოდიფიცირებული პარამეტრული მოდგომა. გამოკვლეულია უდს ტალრების უღტიერთტრანსფორმაციის ამოცანა ცანაცვლებითი დინებებით განპირობებულ იონოსფეროში. ცატარებულ იქნა რეალურ სატელიტურ მონაცემთა ანალიზი.			
3	ჩარგაზია ხ., ხარშილაძე ო.	ფონური არაერთგვაროვანი ქარის გავლენა დიდმასშტაბიანი ზონალური დინების გენერაციაზე უდს ტალღების მიერ	ევროპის პლანეტარულ მეცნიერებათა კონგრესი EPSC 2015. ნანტი, საფრანგეთი, 27 სექტემბერი – 2 ოქტომბერი, 2015
შესწავლილია არაერთგვაროვანი ფონური ქარებით მართულ იონოსფეროში ზონალური დინების გენერაცია. შესწავლილია არაწრფივი (სკალარული და ვექტორული) ეფექტების როლი სასრული ამპლიტუდის მქონე ულტრა დაბალი სიხშირის (უდს) მოდების მიერ დიდმასშტაბიანი ზონალური დინებების ფორმირებაში დისიპაციურ იონოსფეროში. გამოვლენილ იქნა შედარებით მცირე მასშტაბიანი უდს ტალღიდან და ფონური ქარებიდან ენერგიის დიდმასშტაბიან ზონალურ დინებებში გადაქაჩვის თავისებურებები. ნაჩვენებია, რომ ზონალური დინების გენერაცია განპირობებულია სასრულ ამპლიტუდიანი დამაგნიტებული როსბის ტალღის რეინოლდსის ძაბვით და ფონური წანაცვლებითი დინების ზემოქმედებით.			
4	ლარისა შენგელია გ.თვაური	საქართველოს მყინვარების კვლევა დისტანციური ზონდირების ინოვაციური მეთოდების გამოყენებით.	XVIII საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის, “გეოგრაფია: მეცნიერებისა და განათლების განვითარება” მიძღვნილი იუნესკოს 70-ე წლისთავისადმი, 2015 წლის 22-25 მაისი, სანკტ-პეტერბურგი,
წარმოდგენილია დისტანციური ზონდირების საფუძველზე საქართველოს მყინვარების შესწავლის მეთოდიკა. განსაზღვრულია ცალკეული მყინვარის მახასიათებლები.			

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	„მულტიდინებების საზაფხულო ვორქშოფი“ მადრიდის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, ესპანეთი, 25 მაისი - 26 ივნისი, 2015. http://torroja.dmt.upm.es/summer15/index.html		გ. ჩაგელიშვილი	
მადრიდის საზაფხულო ვორქშოფის მიზანი იყო ტურბულენტობის ფიზიკის გააზრება.				

ვორქშოფის მუშაობაში მონაწილეობდა **გ. ჩაგელიშვილი.** შესრულდა შრომა:
Mamatsashvili G, Dong S, Khujadze G., Chagelishvili G, Jimenez J and Foysi H., Homogeneous shear turbulence – bypass concept via interplay of linear transient growth and nonlinear transverse cascade (ჰომოგენური წანაცვლებითი ტურბულენტობა - „ბაიფასს“ კონცეფციის რეალიზაცია წრფივი ტრანზიენტული წრდისა და არაწრფივი გვერდითი კასკადის თანაქმედებით).
ჰომოგენური, კლასიკური წარმოდგენებით მგრადი, წანაცვლებითი დინებების ტურბულენტობის დინამიკა გაანალიზებულია სპექტრალურ სივრცეში ტოლი გვერდების მქონე თვლის ბოქსის დროს. ნაჩვენებია, რომ მთავარი არაწრფივი პროცესები არიან არა პირდაპირი ან შებრუნებული კასკადი, არამედ გვერდითი კასკადი - ჰარმონიკების კუთხური გადანაწილება სპექტრალურ სივრცეში. ნაჩვენებია, რომ განხილული ტურბულენტობის თვითშენარჩუნების პროცესი მეტად რთულია და ჰარმონიკათა რიცხვი, რომლების აქტიურ მონაწილეობას იღებენ თვითშენარჩუნების პროცესში დიდია. ამდენად, ამ ტურბულენტობის აღწერა დაბალი რიგის მოდელებით შეცდომაში შემყვანია.

ჰიდროგეოფიზიკისა და გეოთერმიის კველევითი ცენტრი

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი.
**გიორგი მელიქაძე, გეოლ–მინერ. მეცნიერებათა დოქტორი, უფრ–მკვლევარი;
melikadze@gmail.com**

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა.
**გენადი კობზევი –ფიზ–მათემ. მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, მკვლევარი, პროგრამისტი;
მარიამ თოდაძე –უფ. მკვლევარი, ქიმიკოსი;
ნინო კაპანაძე– მკვლევარი, დოქტორანტი, გეოფიზიკოსი;
თამარ ჯიმშელაძე– მკვლევარი, დოქტორანტი, გეოფიზიკოსი;
სოფიო ვეფხვაძე -მკვლევარი, ქიმიკოსი;
ალექსანდრე ჭანკვეტაძე- მკვლევარი, გეოფიზიკოსი;
ნატალია ჟუკოვა—მკვლევარი, პროგრამისტი;
მარინა დევიძე- ფიზ–მათემ. მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, მკვლევარი, გეოფიზიკოსი;
თორნიკე ჭიკაძე-მაგისტრანტი, ინჟინერი;
გიორგი ქაჯაია- სპეციალისტი;**

*** საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2014 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები**

№	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	**საქართველოს ჰიდროგეოლოგიური და გეოთერმული პოტენციალის შეფასება თანამედროვე ჰიდროგეოფიზიკური მეთოდების გამოყენებით**	**გიორგი მელიქაძე**	**გენადი კობზევი, მარიამ თოდაძე, ნინო კაპანაძე, თამარ ჯიმშელაძე, სოფიო ვეფხვაძე, ალექსანდრე ჭანკვეტაძე, თორნიკე ჭიკაძე, გიორგი ქაჯაია**
	საქართველოს მინერალურ სიმდიდრეთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მიწისქვეშა წყლებს (მტკნარი, მინერალური და თერმული), რომლებიც ხასიათდებიან დიდი რესურსებით, მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებით და მყარი წიაღისეულისგან განსხვავებით, დროში განახლებადობით. მიწისქვეშა წყლები წარმოადგენს ყველაზე ძვირფას წიაღისეულს, რომელთა რაოდენობის მხრივ საქართველო ერთერთი უმდიდრესი ქვეყანაა. საქართველოს წყალმომარაგების სისტემაში ლომის წილი- 70%-ზე მეტი, მოდის მიწისქვეშა წყლებზე. საქართველოს წყალშეცველი ჰორიზონტები მოიცავენ რამოდენიმე ათეულ არტეზიულ აუზს და დაწნევით მიწისქვეშა სისტემებს, რომლებიც თავის მხრივ მოიცავენ ფოროვან, ნაპრალოვან და ნაპრალოვან/კარსტულ წყალშემცველ ჰორიზონტებს. სასმელი მიწისქვეშა წყლები მიეკუთვნებიან ერთ-ერთ ყველაზე		

შესწავლილ და ექსპლუატირებულ, მოწყვლად წყალშემცველ ჰორიზონტებს. სწორედ ამიტომ, მათი რეჟიმის, ხარისხისა და მათზე მოქმედი ფაქტორების შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ამით უზრუნველვყოფთ მოსახლეობისა და წარმოებისთვის წყლის უწყვეტ მიწოდებას.

სამწუხაროდ, დღეის მდგომარეობით, მიწისქვეშა წყლები განიცდიან მნიშვნელოვან ცვლილებებს ანტროპოგენური და ბუნებრივი (მათ შორის კლიმატური) ფაქტორების ზეგავლენის გამო, რაც გამოიხატება მათი ხარისხის გაუარესებასა და რაოდენობის შემცირებაში.

ამის შეჩერების ერთადერთ გზად მიგვაჩნია მოქმედი ჰიდროგეოლოგიური პროცესების შესწავლა მსოფლიოში აპრობირებული კვლევის თანამედროვე ჰიდროგეოფიზიკური მეთოდებით, რომლებიც საშუალებას იძლევა განხორციელდეს დღევანდელი სიტუაციის ანალიზი, მიწისქვეშა წყლების გენეზისის დადგენა, რესურსების გადაფასება და საკონტროლო მონიტორინგის ორგანიზება, რაც აუცილებელი პირობაა წყლის რესურსების შემდგომი ეკოლოგიურად სწორი ექსპლუატაციის პირობების განსაზღვრისათვის.

საანგარიშო პერიოდში ცენტრის მიერ მოპოვებული გრანტების ფარგლებში ეტაპობრივად, საქართველოს ცალკეული უბნებში ახორციალებდა მიწისქვეშა წყლების სრულფასოვან შესწავლას, წყლის გენეზისის, წყლის ნაკადის მიგრაციის კვების არედან განტვირთვის არემდე დადგენას, მისი რესურსების ხარისხობრივ და რაოდენობრივ შეფასებას, პროცესების დროში და სივრცეში განვითარების მოდელიერებას, რეკომენდაციების შემუშავებას მათი ეკონომიკურად და ეკოლოგიურად გამართლებული ექსპლუატაციისთვის. კერძოდ:

მიწისქვეშა წყლების სრულფასოვანი ეკოლოგიური შესწავლა, მათი კვების და განტვირთვის არეალების ჰიდროლოგიური დახასიათებით; სასმელი, მინერალური და თერმული წყლების, ბუნებრივი გაზების კადასტრის შექმნა, მათი მაკრო და მიკრო კომპონენტური, გაზური, რადიაციული შემადგენლობის და სავარაუდო გამოყენების არეალის ჩვენებით (გრანტი #31/27 ”ალაზანი-იორის წყალშემკრები აუზების („აღმოსავლეთ საქართველო) შესწავლა სტაბილური იზოტოპების გამოყენებით მიწისქვეშა წყლების რესურსების მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად 2013-2016”, „თოვლის რესურსები და მთიანი რეგიონების წყლის ნაკადების გვალვის პერიოდების ადრეული პროგნოზირება, SNSF, 2014-2017;)

- **მიწისქვეშა წყლებისა და სრულად გარემოს ტოქსიკური და რადიაციული ფონის შესწავლა, დაბინძურების რუკის შექმნა და რისკების განსაზღვრა** (”მიწისქვეშა წყლების რესურსების შეფასების მიზნით სტაბილური იზოტოპებისა და ჰიდროქიმიური ტექნიკის გამოყენება 2014-2015“);
- **ქანების სითბური პარამეტრების და სითბური ნაკადის განსაზღვრა. საქართველოს გეოთერმული რუკის დაზუსტება და პერსპექტიული გეოთერმული საბადოების გამოყოფა** („საქართველოს გეოთერმული პოტენციალის შესწავლა მოქმედ თერმულ ჭაბურღილებში სითბური ნაკადის მნიშვნელობების განსაზღვრით გზით 2013-2015“);
- **ციფრული მოდელირებით საქართველოს მიწისქვეშა წყლების ძირითადი საბადოების (სასმელი, მინერალური და თერმულის) გენეზისის, მათი ურთიერთქმედების, მოწყვლადობის, რესურსების შეფასება და მათი ეკოლოგიურად გამართლებული ექსპლუატაციის პირობების განსაზღვრა, რეკომენდაციების და ბიზნეს გეგმების შემუშავება მათი მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად** (”მიწისქვეშა წყლების რესურსების შეფასების მიზნით სტაბილური იზოტოპებისა და ჰიდროქიმიური ტექნიკის გამოყენება 2014-2015“, ”ალაზანი-იორის წყალშემკრები აუზების (აღმოსავლეთ საქართველო) შესწავლა სტაბილური იზოტოპების გამოყენებით მიწისქვეშა წყლების რესურსების მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად 2013-2016”);
- **მიწისქვეშა წყლების საბადოების საკვანძო მახასიათებელ უბნებში უწყვეტი მულტიპარამეტრული (ჰიდროქიმიური, იზოტოპური, რადიოლოგიური, ჰიდროგეოდინამიკური) მონიტორინგის ორგანიზება, ეკოლოგიური, კლიმატური,**

	ჰიდროგეოდინამიკური, სეისმური პროცესებისა და ეკოლოგიური მდგომარეობის კონტროლის მიზნით. ინფორმაციის ოპერატიულ დამუშავებსა ცენტრში და სწრაფ რეაგირებას შესაძლო დარღვევებზე (“გეოდინამიკური ველის სივრცულ-დროითი ვარიაციები და მისი გავლენა ღრმა წყალშემცველ ჰორიზონტებზე და მაგნიტურ ველზე 2014-2017).

სახელმწიფო გრანტით დაფინანსებული


№	პროექტის დასა-ხელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	გრანტი #31/27 ”ალაზანი-იორის წყალშემკრები აუზების (აღმოსავლეთ საქართველო) შესწავლა სტაბილური იზოტოპების გამოყენებით მიწისქვეშა წყლების რესურსების მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად 2013-2016”	რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	გიორგი მელიქაძე	გენადი კობზევი; ნინო კაპანაძე; თამარ ჯიმშელაძე; მარიამ თოდაძე; ალექსანდრე ჭანკვეტაძე;

პროექტის ამოცანების გადაწყვეტის მიზნით 2015 წლის განმავლობაში გრძელდებოდა რეჟიმული დაკვირვებები ჰაერის ტემპერატურაზე, ტენიანობასა და ატმოსფერული ნალექების რაოდენობაზე ადრე შერჩეულ შემდეგ მეტეოროლოგიურ სადგურებზე: თიანეთი, თელავი, ლაგოდეხი და დედოფლის-წყარო. აღნიშნულ პუნქტებზე მეტეო მონაცემების გაზომვა ხდებოდა ყოველდღიურად. ასევე, ყოველთვიურად ხდებოდა ნალექების სინჯების აღება და შენახვა. სინჯების ტრანსპორტირების შემდგომ მათში ტარდებოდა სტაბილური იზოტოპების და ჰიდროქიმიური პარამეტრერბის განსაზღვრა გეოფიზიკის ინსიტიტუტის ჰუდროგეოფიზიკისა და გეოთერმიის კვლევითი ცენტრის რადიო-ჰიდროქიმიურ ლაბორატორიაში.

ჩატარდა რეჟიმული დაკვირვებები მდინარეებში წყლის დონის ვარიაციებზე მდინარე იორზე სოფ. ჭაჭუნას რაიონში და ალაზანზე სოფ. შაქრიანთან თელავის რაიონში. აღნიშნული მდინარეებიდან ასევე, თვეში ერთხელ ხდებოდა სინჯების აღება სტაბილური იზოტოპების გაზომვის მიზნით და მათი შემდგომი ანალიზი სტაბილური იზოტოპების შემადგენლობის დადგენის მიზნით.

თელავისა და შაქრიანის სადგურებზე, როგორც ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს გლობალურ ქსელის GNIP da GNIR ის სადგურებისთვის, დამატებით ხდებოდა სინჯების აღება ტრიტიუმის განსასაზღვავად ნალექებსა და მდინარის წყალში. აღნიშნულ ქსელს დაემატა დაკვირვებები გუდაურის მეტეო სადგურზე.

დამატებით, იზოტოპური შემადგენლობის დადგენის მიზნით, გაგრძელდა მდინარის წყლის ყოველთვიური რეჟიმული დასინჯვები მდინარე იორის ქვედა-წელში, დედოფლის-წყაროს რაიონში და ასევე, მდინარე ალაზანის ქვედა წელში, აზერბაიჯანის საზღვართან ახლოს, სოფ. სამთავისის სიახლოეს.




ნახ. 1 სარეჟიმო პუნქტების განლაგება ტერიტორიაზე. ვარსკვლავი-მეტეო სადგურები, წრე-სარეჟიმო სადგურები, სამკუთხედი- მდინარეზე დაკვირვების პუნქტები


საკვლევ ტერიტორიაზე რეგიონის ჰიდროგეოლოგიური თავისებურებების დადგენის მიზნით ჩატარდა საველე ჰიდროგეოლოგიური, ჰიდროგეოქიმიური და იზოტოპური დასინჯვები ალაზნის ხეობებში. დაისინჯებოდა ყველა ტიპის წყალ-პუნქტი (წყაროები, ჭაბურღილები, ჭები, მდინარეები). დასინჯვების პერიოდში იზომებოდა წყლის ფიზიკური თვისებები (წყლის ტემპერატურა, ელექტროგამტარებლობა, pH და თავისუფალი ჟანგბადი), საველე ჰიდროქიმიური ლაბორატორიის საშუალებით (Multi-340i/SET, Spectroquant® Colorimeters and Laser Spectrometer). ყველა პუნქტზე ხდებოდა სინჯების აღება, მთავარი მაკრო და მიკროკომპონენტების და იზოტოპური შემადგენლობის განსაზღვრა. ამავე დროს, რღვევებისა და ჰიდროგეოლოგიური "ფანჯრების" დაფიქსირების მიზნით დამატებით იზომებოდა რადიაქტიური გაზები ჰელიუმი და რადონი.



ნახ.2 ჰიდროქიური დასინჯვის პროცესი




ნახ. №3 დასინჯული წყალპუნქტების განლაგება საკვლევ ტერიტორიაზე



ნახ. №4 გაზ რადონის განაწილება საკვლევ ტერიტორიაზე


ორგანიზებული იქნა რეჟიმული ჰიდროდინამიკური და ჰიდროქიმიური დაკვირვებები წყლის დონესა და ტემპერატურაზე შერჩეულ ჭაბურღილებზე და მდინარე ალაზანზე. მონიტორინგი მიმდინარეობდა გახშირებულ რეჟიმში.

დამატებით, მიწისქვეშა წყლებში იზოტოპური შემადგენლობის დროში და სივრცეში ცვლილებათა დადგენის მიზნით, გაგრძელდა სინჯების აღება კახეთის ტერიტორიაზე განლაგებულ ჭაბურღილებსა და ჭებზე. საქართველოს წყლის კომპანიასთან შეთანხმებით, მათ სასმელი წყლის შემკრებ ჭაბურღილებსა და ჭებზე, ყოველთვიურად ხდებოდა სინჯების აღება მათში სტაბილური იზოტოპების განსაზღვრის მიზნით. დაკვირვებებისათვის შერჩეული იქნა სხვა და სხვა წყალშემცველ ჰორიზონტებში განლაგებული ჭაბურღილები და გალერეები. ისინი თანაბრადაა განლაგებული მთელ ტერიტორიაზე. კერძოდ, ახმეტის, ყვარელის, ლაგოდეხის, თელავის, გურჯაანის, სიღნაღის, საგარეჯოს, წნორის და დედოფლის-წყაროს ტერიტორიებზე.




ნახ. №5 ჰიდროქიმიური მონიტორინგის წყალპუნქტების განლაგება საკვლევ ტერიტორიაზე


პარალელურად ხდებოდა სინჯების ანალიზი ცენტრის ლაბორატორიაში.



ნახ. №6 დეიტერიუმის განაწილების გრაფიკი წყალპუნქტებში საკვლევ ტერიტორიაზე



ნახ. №7 ჟანგბადის იზოტოპის განაწილების გრაფიკი წყალპუნქტებში საკვლევ ტერიტორიაზე




ნახ. №8 იზოტოპების განაწილების გრაფიკი მსოფლიო მეტეოროლოგიურ ხაზზე

მონაცემთა ბაზა (გეოლოგიური, გეოფიზიკური, ჰიდროლოგიური და ჰიდროდინამიური მონაცემები, ჰიდროქიმიური და მეტეოროლოგიური მონაცემები) და ხანგრძლივი დაკვირვებების შედეგები განთავსებულია საჯარო მოხმარებისთვის ინტერნეტში (http://gga.ge/index2.php?s=4).


მოდელირება

განხორციელდა მოცემული ზონის მიწისქვეშა წყლების ჰიდროდინამიკის მათემატიკური მოდელირება, რომელიც ეფუძნება კონცეპტუალურ მოდელს, რომელიც თავის მხრივ ეფუძნება წინასწარ გეოლოგიურ, გეოფიზიკურ, ჰიდროგეოლოგიურ მონაცემებს. მოდელირება განხორციელდა სპეციალური პროგრამული პაკეტის VisualModflowPro საშუალებით.



ნახ. 9 მოდელის საზღვრები

9 ნახაზზე ნათლად ჩანს საკვლევი ადგილი საზღვრები, რომლებიც მოიცავს მდინარეებს იორი და ალაზანი. კონცეპტუალური მოდელის შესაქმნელად გამოყენებული იქნა არსებული გეოფიზიკური პროფილების მონაცემები. ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეიქმნა სამგანზომილებიანი მოდელი. მოდელი საკმაოდ რთულია და შეიცავს ბევრ ფენას (ნახ. 10).



ნახ. 10 კონცეპტუალური მოდელი

კონცეპტუალური და ციფრული მოდელი შეიქმნა Visual Modflow Flex 2012 და Visual Modflow Classic 2011 პროგრამების საშუალებით. სამგანზომილებიანი კონცეპტუალური მოდელი შეიცავს 14 ფენას (Q, N, J, S3, S2, S1, P21, P22, P1, K2, K1, J3, J2). თითოეული ფენა წარმოადგენს სხვადასხვა ფილტრაციული თვისებების ფოროვან გარემოს. ფენების „შესაქმნელად“ გამოყენებული იქნა გეოლოგიური პროფილების მონაცემები და რუკები. ზედა ფენები (Q და N) წარმოდგენილია როგორც „შემოუსაზღვრელი“. თითოეული ფენა, როგორც როგორც ჰიდროსტრატიგრაფიული ერთეული, გამოყოფილი იქნა გამტარებლობის, კუთრი ტევადობისა და ეფექტური ფორიანობის მიხედვით (ცხრილი 1).

ცხრილი 1 ფენების ჰიდროლოგიური თვისებები

ფენები	ჰიდრავლიკური გამტარებლობა(მ/წმ)	კუთრი ტევადობა ($მ^{-1}$)	ეფექტური ფორიანობა
	$7.6042x10^{-5}$	$3x10^{-6}$	0.05
	$1.6204x10^{-6}$	$5x10^{-5}$	0.03
J	$1.8519x10^{-6}$	$9x10^{-4}$	0.07
S3	$2.257x10^{-6}$	$9x10^{-4}$	0.05
S2	$3.8588x10^{-6}$	$7x10^{-4}$	0.05
S1	$4.653x10^{-6}$	$6x10^{-4}$	0.05
P21	$0.8557x10^{-6}$	$5.5x10^{-5}$	0.04
P21	$0.9520x10^{-6}$	$2x10^{-5}$	0.04
P22	$0.7900x10^{-6}$	$3.2x10^{-5}$	0.05
P1	$2.8471x10^{-6}$	$4x10^{-6}$	0.06
K2	$1.5824x10^{-6}$	$4.5x10^{-6}$	0.06
J3	$1.2511x10^{-6}$	$3x10^{-6}$	0.07
J2	$1.0047x10^{-6}$	$2x10^{-6}$	0.075

მდინარეებით იქნა შემოსაზღვრული მოდელის საზღვრები და მათი მონაცემები გამოყენებული იქნა კუთრი ნაკადის განსასაზღვრად. (ცხრილი 2)

ცხრილი 2. მდინარეთა ზომები

მდინარე	კალაპოტის სიღრმე (მ)	მდინარის სიგანე (მ)	კალაპოტის გამტარებლობა (მ/დღე)
ალაზანი	5	50	20
იორი	3	30	10

Visual Modflow Flex -ი საშუალებას იძლევა გამოყენებული იქნას მდინარის ხარჯის მონაცემები, როგორც სასაზღვრო პირობა. ჩვენს მიერ გამოყენებული იქნა ეს ინსტრუმენტი ჭაბურღილების წნევის პირობების გავლენის სიმულაციისათვის. მოდელში განთავსდა 20 სასაზღვრე პირობა. მომდევნო ცხრილში მოცემულია გამოყენებული პარამეტრები. ჭაბურღილების ხარჯის სიდიდე დამოკიდებულია ჭაბურღილში ფილტრის მდებარეობაზე.

ცხრილი 3 ჭაბურღილების მონაცემები


არტეზიული ჭაბურღილების ფილტრული ნაწილის გეოლოგიური ასაკი	დებიტი (ლ/წმ)
	165 მეტი
	60 მეტი
	70 მეტი
J	10 მეტი

კონცეპტუალური მოდელი შემდგომში გარდაიქმნა ციფრულში. არტეზიული ჭაბურღილების დებისტი მონაცემები გამოყენებული იქნა მოდელის კალიბრაციისათვის „მდგრადი-მდგომარეობის“ რეჟიმის პირობებში. ნალექების რაოდენობა (800 მმ/წელიწადში) მიენიჭა მოდელის ზედა მარჯვენა ზონას. ნახ. 3 -ზე არტეზიული ჭების მდებარეობა აღნიშნულია სამკუთხედებით.




ნახ. 11 არტეზიული ჭების მდებარეობა

საკვლევი რაიონის წყლის დონეები დაკალიბრდა საწყისი დონეების მიხედვით. მოდელის ცენტრალურ ნაწილში მონიშნულია მშრალი ზონა (ნახ. 12).



ნახ. 12. გრუნტის წყლის ზედაპირი


მოდელში დაფიქსირდა წყლის დონეები აბსოლუტური მნიშვნელობების მიხედვით სხვადასხვა ფენებისათვის და მოხდა ნაკადის სიჩქარეებს სიმულირება ალაზანი-შირაქის ზონებისათვის ერთდროულად. (ნახ.13).



ნახ.13 ნაკადის სიჩქარეები ა) 1-ლი ფენა ბ)10-ე ფენა გ) 20-ე ფენა


ნახ. 13 ნაჩვენებია ნაკადის სიჩქარეების ინტენსიურობა და მიმართულება სიმულირებული წყლის სისტემისათვის. როგორც ნახაზიდან ჩანს, წყალი არ შედის სისტემაში ცენტრალური ზონის ზედა ჰორიზონტში. ეს ნაწილი არის უწყლო და არ ხდება წყლის ფილტრაცია ქვევით. მარჯვენა ზონაში წყალი განიტვირთება მდინარეებში. შუა ჰორიზონტი იკვებება მიწისქვეშა ნაკადებით. ნაკადის ინტენსივობა იზრდება მე-10 ფენაში და რჩება თითქმის უცვლელი მე-20-ე ფენამდე.

იმისათვის, რომ გამოთვლილი იქნას მიწისქვეშა წყლების ნაკადების მოძრაობის ხანგრძლივობა, გამოყენებული იქნა „ნაწილაკების“ ინსტრუმენტი. მთიანი ადგილებიდან მიწისქვეშა წყლები მოძრაობს ალაზნის მიმართულებით, წყლის საშუალო ასაკი 2 მდებარეობას შორის არის დაახლოებით 90 დღე. შირაქის მთებიდან წყალი მოძრაობს ალაზნის ჭებისაკენ (კასრისწყალი და სხვ.), წყლის ასაკი ორ ადგილს შორის არის დაახლოებით 90 დღე(ნახ. 14). ცენტრალური შირაქის ქვედა არედან წყალი მოძრაობს მარჯვენა მიმართულებით და აღწევს ალაზნის ველს 6 თვის განმავლობაში.




ნახ. 14 მიწისქვეშა წყლის მოძრაობის მიმართულება და ხანგრძლივობა

როგორც ვხედავთ, ზონა 2 (ნახ.15) ზედა მთიანი ზონა იკვებება უფრო ინტენსიურად, ვიდრე ზონა 3, მაგრამ წყალი განიტვირთება ძირითადად ზონაში 3. ჭების წყლების განტვირთვა გაცილებით მცირეა მდინარეებთან შედარებით. გარდა ამისა, მოდელით გამოთვლილი იქნა მთლიანი ნაკადი (ნახ. 16).



ნახ. 15 მიწისქვეშა წყლების ზონები



ნახ. 16 ნაკადის რესურსი, ლურჯი-განტვირთვა, წითელი- კვება

მოდელის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნად, რომ მიწისქვეშა წყლის დინების ხანგრძლივობა ალაზნის ველიდან შირაქის ველამდე, წყლის საშუალო ასაკით 4 თვით. მიწისქვეშა წყლების ანალიზით დასტურდება წყლის მინერალიზაციის ევოლუცია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, მნიშვნელოვანი ზრდით შირაქის სინკლინური ზონისკენ. ამიტომ შეინიშნება მთლიანი მინერალიზაციის ცვლილებები ჭაბურღილების ვერტიკალურ ჭრილებშიც.


№	პროექტის დასა-ხელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2	„გეოდინამიკური ველის სივრცულ-დროითი ვარიაციები და მისი გავლენა ღრმა წყალშემცველ ჰორიზონტებზე და მაგნიტურ ველზე 2014-2017“	რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	მარინა დევიძე	გიორგი მელიქაძე ნინო კაპანაძე; თამარ ჯიმშელაძე; მარიამ თოდაძე; რობერტ გოგუა

პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა მულტიდისციპლინარული: გეოდინამიკური, ჰიდროდინამიკური, ჰიდროქიმიური, გეოფიზიკური, მეტეოროლოგიური და სეისმური ინფორმაციის უნიფიცირებული მონაცემთა ბაზის შექმნა და მასალის ანალიზი. მონაცემები განთავსებულია (http://gga.ge/index2.php?s=14) sajaro moxmarebisTvis.

2015 წლის აპრილი-სექტემბრის პერიოდში დაფიქსირეული დარღვევები:


განვიხილოთ წყლის დონის ვარიაციის დარღვევები, რომელიც დაფიქსირდა 2015 წლის 26 მაისის მიწისძვრის დროს, Mag=4.6 და 2015 წლის 27 ივლისის მიწისძვრის დროს, Mag=4.1

2015 წლის 26 მაისის მიწისძვრის დროს დარღვევა დაფიქსირდა აჯამეთის ჭაბურღილზე, რომელიც იმყოფება მიწისძვრის ეპიცენტრიდან 360 კმ-ში და 2015 წლის 27 ივლისის მიწისძვრის დროს დარღვევა დაფიქსირდა მარნეულის ჭაბურღილზე, რომელიც მდებარეობს მიწისძვრის ეპიცენტრიდან 75 კმ-ში.




სურ. 1. წყლის დონის (შუა ხაზი), ატმოსფერული წნევისა (ქვედა) და მიმოქცევის (ზედა ხაზი) ვარიაციები ,,აჯამეთის''-ს სადგურზე. ვერტიკალური ხაზი აღნიშნავს მიწისძვრას.

სურ. **1 -2** ჩანს დარღვევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა 26.05.2015 წლის მიწისძვრის დროს.




სურ. 2 წყლის დონის ცვლილება აჯამეთის ჭაბურღილზე (სმ). ვერტიკალური ხაზი აღნიშნავს მიწისძვრას: 26 მაისი 2015, 01:20, მაგნიტუდა 4.6; აბსცისათა ღერძზე დრო მითითებულია საათებში. სურ.2-ზე დატანილია აჯამეთის ჭაბურღილისა (წითელი წრე) და მიწისძვრის (წითელი ვარსკვლავი) განლაგების სქემა.

წყლის დონის ცვლილების გრაფიკზე ჩანს მნიშვნელოვანი დარღვევა მიწისძვრის წინა პერიოდში, რომელიც გრძელდება 25 მაისის 21:30-დან 23:00-ის ჩათვლით. მიწისძვრამდე 3 საათით ადრე ამპლიტუდის ცვლილება შეადგენდა 3 სმ-ს. შემდგომ პერიოდში აღინიშნება წყლის დონის ბუნებრივი ცვლილება. აღსანიშნავია, რომ 26 მაისს 3:40-ზე მოხდა წყლის დონის 1 სმ-ზე ვარდნა.




სურ. 3 წყლის დონის (ზედა ხაზი), ატმოსფერული წნევისა (ქვედა) და მიმოქცევის (შუა ხაზი) ვარიაციები ,,მარნეულის''-ს სადგურზე. 27 ივლისი 2015, 06:58, მაგნიტუდა Mag=4.1;




სურ. 4 წყლის დონის ცვლილება მარნეულის ჭაბურღილზე (სმ). ვერტიკალური ხაზი აღნიშნავს მიწისძვრას: 27 ივლისი 2015, 06:58, მაგნიტუდა Mag=4.1;
აბსცისათა ღერძზე დრო მითითებულია საათებში

სურ.4-ზე დატანილია მარნეულის ჭაბურღილისა (წითელი წრე) და მიწისძვრის (წითელი ვარსკვლავი აღმოსავლეთით) განლაგების სქემა.

ასევე განხილულია წყლის დონის ცვლილებები სიჩქარეების მეთოდის გამოყენებით. სურათზე დატანილია ორი გრაფიკი: წყლის დონის ცვლილების სიჩქარისა და მიმოქცევების ვარიაციების ცვლილების სიჩქარის გრაფიკები.



სურ. 5 წყლის დონის ცვლილებებისა და მიმოქცევების სიჩქარის გრაფიკები (მიმოქცევები - გლუვი ხაზი). აჯამეთი.



სურ. 6 მარნეული, წყლის დონის ცვლილებებისა და მიმოქცევების სიჩქარის გრაფიკები

სურ.5 და სურ.6-ზე გამოიყოფა სამი ნაწილი. პირველ ნაწილში გვაქვს სიჩქარეთა გრაფიკების კარგი შეთავსება. მეორე ნაწილში გვხვდება მკვეთრად გამოხატული დარღვევა ამ შეთავსებისა, რაც მნიშვნელოვანი ხდება მიისძვრის წინ. რამდენიმე დღის მერე კვლავ დაიკვირვება ხაზების კარგი შეთავსება.


გეოდეფორმაციული დაძაბულობის ველის სურათის რეკონსტრუქცია ლოკალურ და რეგიონალურ მასშტაბში და განვითარების კანონზომიერებების შესწავლა.

მიწისძვრის პროგნოზირების თანამედროვე მეთოდები საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ დედამიწის ქერქის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის დროსა და სივრცეში ცვლილებას. რეალურ დროში ტექტონიკური პროცესების მონიტორინგისა და სეისმური კომპონენტის გამოყოფის მიზნით შემუშავდა სპეციალური პროგრამა.


მეთოდის არსი მდგომარეობს შემდეგში:გვაქვს წყლის დონის წუთიერი მონაცემები, რომლებიც ჩაწერილია საქართველოს სხვადასხვა ჭაბურღილში. წყლის დონე ყოველთვის განისაზღვრება დედამიწის ზედაპირის მიმართ და წყალი ჭაბურღილებში იმყოფება სხვადასხვა სიღრმეზე.

იმისათვის, რომ დავაკვირდეთ წყლის დონეთა ცვლილებას დროში, შესაძლებელია დროის რაღაც მომენტში ხელოვნურად გავუტოლოთ ისინი ნულს და ამის შემდგომ დავაკვირდეთ ცვლილებას წრფივი გრაფიკების სახით.

ასევე შესაძლებელია ავაგოთ წყლის დონის განაწილება დედამიწის ზედაპირზე ჭაბურღილის კოორდინატების გათვალისწინებით ე.ი. ავაგოთ ველი და დავაკვირდეთ მის ცვლილებას განსაზღვრული პერიოდულობით. განვიხილოთ წყლის დონის ცვლილება მიწისძვრამდე და მის შემდგომ პერიოდში. სურ. 1-2.



სურ. 1 წყლის დონის ცვლილების გრაფიკი 5 დღის განმავლობაში, 22-27 ივლისი, 2015. 22 ივლისი არის წყლის ყველა დონისათვის ათვლის საწყისი დრო. ვერტიკალური ხაზი -2015 წლის 27 ივლისის მიწისძვრა, მაგნიტუდა 4.1.




სურ. 2 წყლის დონის ცვლილების გრაფიკი 2015 წლის 26-27 ივლისის განმავლობაში. 26 ივლისი არის წყლის ყველა დონისათვის ათვლის საწყისი დრო.


როგორც სურ. 1-დან ჩანს, მიწისძვრამდე ერთი დღით ადრე მოხდა ჭაბურღილებში წლის დონის სინქრონული ცვლილება ყველგან, გარდა ლაგოდეხისა. თუ გავითვალისწინებთ ჭაბურღილების განლაგებას მიწისძვრის ეპიცენტრთან მიმართებაში, ლაგოდეხის ჭაბურღილი იმყოფება მიწისძვრის ეპიცენტრიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, ხოლო დანარჩენი მის დასავლეთით.

გეოდეფორმაციული ველის ცვლილება დროში ,,სიღნაღის" (27.07.2015 მაგ=4.1) მიწისძვრის მოხდენისა და მის შემდგომ პერიოდში განხილულია სურ.3-10 – ზე.


ქვემოთ მოყვანილი ველები აგებულია იმ დაშვებით, რომ ყველა დონეს აქვს 22.07.2015 00:01-ში ხელოვნურად მიცემული საწყისი მნიშვნელობა, რომელიც ნულის ტოლია.




სურ. 3. გეოდეფორმაციული ველის ცვლილება. 26.07.2015 05:01




სურ. 4. გეოდეფორმაციული ველის ცვლილება. **26.07.2015 06:01**




სურ. 5 გეოდეფორმაციული ველის ცვლილება. **26.07.2015 12:01**




სურ. 6 გეოდეფორმაციული ველის ცვლილება. **26.07.2015 18:01**




სურ. 7 გეოდეფორმაციული ველის ცვლილება. **27.07.2015 00:01**



სურ. 8 გეოდეფორმაციული ველის ცვლილება. **27.07.2015 06:01**




სურ. 9 გეოდეფორმაციული ველის ცვლილება. **27.07. 2015 06:01,** მიწისძვრამდე 22 წუთით ადრე.



სურ. 10 გეოდეფორმაციული ველის ცვლილება**27.07.2015 7:01,** მიწისძვრის შემდგომ.

სურათებზე (სურ. 3-6) ნაჩვენებია წყლის დონის რუკები 2015 წლის 26 ივლისის 5:01, 6:01, 12:01, 18:01, საათებისთვის, ხოლო სურათებზე (სურ. 7-10) ნაჩვენებია წყლის დონის რუკები 2015 წლის 27 ივლისის 00:01, 6:01, 6:36 (მიწისძვრამდე) და 7:01 (მიწისძვრის შემდგომ).




სურ.11. წყლის დონის ცვლილების გრაფიკი 2015 წლის 31.08-დან 05.09 -მდე.


31 აგვისტო არის წყლის დონის ყველა მნიშვნელობისათვის ათვლის საწყისი დრო.

სურათზე დატანილია მიწისძვრის განლაგების რუკა, რომელიც გრაფიკზე აღნიშნულია წითელი ვერტიკალური ხაზით - 2015 წლის 04 სექტემბერი, Mag=5,4.


როგორც სურათიდან ჩანს 31 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე ხდება ჭაბურღილებში წყლის დონის სინქრონული ცვლილება, ხოლო 2დან 4 სექტემბრამდე აღნიშნული შესაბამისობის დარღვევა, განსაკუთრებით აჯამეთში.

სურ.12- ზე მოყვნილია გეოდეფორმაციული ველის ცვლილება 31.08-02.09.2015 პერიოდისათვის.





სურ.12. გეოდეფორმაციული ველის ცვლილება. 31.08-02.09.2015.



სურ.13. გეოდეფორმაციული ველის ცვლილება. 02.09-04.09.2015.

* პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

1	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნა-ლის/კრებუ ლის დასახელებ ა	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლო ბა	გვერდების რაოდენობა
1. 2. 3. 4.	Геннадий Кобзев Георгий Меликадзе Тамар Джимшеладзе Алеко Чанквета дзе	Влияние рельефных неравномерн остей на гравитацион ное поле в режиме подземных вод	Тбилисский гос. университет Им. Джавахишвили Институт геофизики им. М. З. Нодия Сборник Трудов т. LXV	Тбилиси 2015	126-132
განხორციელდა მიწისქვეშა წყლების რეჟიმშემადგენელი ფაქტორების სივცულ-დროითი ანალიზი, მულტიპარამეტრული სიგალიდან გამოყოფილი იქნა გეოდინამიკური მდგენელი, დადგენილი იქნა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი გეოდეფორმაციულ და ჰიდროდინამიურ პროცესებს შორის და რელიეფის გავლენა მათ სვლილებაზე.					

2	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1. 2. 3. 4. 5.	George Melikadze, Natalia Jhukova, Mariam Todadze, Sopio Vepkhvadze, Tornike Chikadze	Numerical modelling of groundwater system in the East Georgia's lowland.	Journal of Georgian Geophysical Society, Issue (A), Physics of Solid Earth, v.18a, 2015, pp.	Tbilsis, 2015	13-21
მიწისქვეშა წყლების გენეზისის შესწავლია მიზნით შემუშავდა საკვლევი რეგიონის ციფრული მოდელი. ის შედგება 20 ფენისგან. თითოეული ფენა შედგება სხვადასხვა გამტარებლობის ფოროვალი გარემოსაგან. მოდელში განსაზღვრული იქნა კვებისა და განტვირთვის არეალები. ასევე დაფიქსირდა წყლის გადაადგილების გზები, სიჩქარე და მიწისქვეშ მოძრაობის პერიოდი.					

3	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნა-ლის/კრებუ-ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1. 2.	George Melikadze, Tamar Jimsheladze,	Methodologically detection of	Journal of Georgian	Tbilisi, Georgia 2015	3-12

3. 4. 5. 6.	Genadi Kobzev Alexandre Tchankvetadze Marina Devidze Nino Kapanadze	distribution in geodynamic field of the Earth during preparation the earthquakes	Geophysical Society, Issue (A), Physics of Solid Earth, v.18a, 2015, pp. 3-12		
სტატიაში განხილულია ჰიდროდინამიური დაკვირვებების შედეგების დამუშავების მეთოდიკა სეისმური მოვლენის მომზადების პერიოდში ჰიდროდინამიური პროცესების შესწავლის მიზნით, რაც გულისხმობს როგორც კომპლექსურ საველე დაკვიევებებს, ასევე მონაცემთა კამერალურ დამუშავებას სპეციალური კომპიუტერული პროგრამების პაკეტის საშუალებით.					

4	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1. 2. 3. 4.	George Melikadze, Natalia Zhukova, Mariam Todadze, Sophio Vephkvadze	Preliminary result of monitoring hydrological cycle in the Gudjareti catchment	Journal of Georgian Geophysical Society, Issue (A), Physics of Solid Earth, v.18a, 2015	Tbilisi, 2015	
სტატიაში გაანალიზირებულია არსებული მეტეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და თოვლის საფარის მონაცემები. ხორციელდებოდა ექსპედიციები წყლის და თოვლის საფარის სინჯების აღების მიზნით. ახალი პროექტის ფარგლებში დამატებით მიტარბის მდინარის აუზში ორგანიზება გაუკეთდა სამონიტორინგო ქსელს, რომლის მეშვეობითაც მოპოვებული იქნა უახლესი მასალა თოვლის ჰიდროლოგიაში, რომელიც არ არსებობდა მანამდე. სხვადასხვა სიმაღლეზე განხორციელებული გაზომვები გამოდგა წარმატებული. თოვლის ნალექმა შეადგინა მთლიანი ნალექების მოცულობის 30%. ის წარმოადგენს მდინარეების მკვებავი წყლის მნიშვნელოვან წილს (მაქსიმალური წილი 50%). თოვლის დნობის შედეგად მდინარეების წყალუხვობა გძელდება 2–3 თვე. დადგინდა, რომ თოვლის ნადნობი წყლის იზოტოპური შემადგენლობა განსხვავდება სხვადასხვა სიმაღლეზე და ასევე, განსხვავდება თოვლის საფარის იზოტოპური შემადგენლობისაგან.					

პუბლიკაციები

ბ) უცხოეთში

სტატიები

1	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნა-ლის/კრებუ-ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3 4 5	Tamaz Chelidze, Ia Shengelia, Natalya Jhukova, Teimuraz Matcharashvili,	M9 Tohoku earthquake hydro- and seismic response in Caucasus and	in press		

6	George Melikadze, Genadi Kobzev	North Turkey.			

ამჟამად არსებობს შორი ძლიერი მიწისძვრების მიწისქვეშა წყლების დინამიკასა და ადგილობრივ სეისმიკაზე ზეგავლენის უამრავი კვლევები. ძლიერი მიწისძვრების ტელესეისმური ტალღები იწვევს ჭაბურღილებში რამდენიმე ჰიდრავლიკური მახასიათებლების ცვლილებას. კერძოდ, წყლის დონისა ცვლილება და რხევები, რომელიც ახდენენ სეისმოგრამების იმიტირებას (ჰიდროსეისმოგრამენი). საქართველოს ტერიტორიაზე ღრმა ჭაბურღილებში დაკვირვებული იქნა წყლის დონის ცვლილების საკმაოდ თვალსაჩინო ანომალიები 2011 წლის ტოჰოკუს მიწისძვრის (M9) დროს S (მეორადი) და Love-Rayleigh (ზედაპირული-პოლარიზებული) ტალღების გავრცელების შედეგად. ტოჰოკუს მიწისძვრის დინამიკურად ტრიგერირებული მოვლენების (არავულკანური რხევების) საყოველთაოდ მიღებული მეთოდოლოგიით ჩატარებული ანალიზის შედეგად არ გამოვლინდა რხევების ნათელი კვალი საკვლევ ტერიტორიაზე (კავკასია და თურქეთის ჩრდილოეთი ნაწილი). სტატიაში განხილულია ტოჰოკუს მიწისძვრის ტელესეისმური ტალღების გავრცელების დროს დაკვირვებული უცნობი სეისმური სიგნალების წარმოშობის შესაძლო მექანიზმები.

2	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3 4 5	Melikadze Giorgi Jhujova Natalya Todadze Mariam Vepkhvadze Sophio Chelidze Tamaz	Hydrogeochemical and Stable Isotope Monitoring and Numerical Modelling of Groundwater Resource in Eastern Georgia to Secure Stability and Quality of Water Supply	Advances in Environmental Research. Volume 44	United States of America Nova Science Publishers © Copyright 2004 - 2015	*164-174*

გლობალური დათბობისა და მზარდი დაბინძურების პირობებში წყლის რესურსები და წყლის ხარისხი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს პრობლემას საქართველოში ისევე, როგორც მრავალ ქვეყანაში. ახალი გეოქიმიური და, განსაკუთრებით, სტაბილური იზოტოპის გამოყენება თამაშობს განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად. მოცემულ ნაშრომში განიხილება მდგომარეობა აღმოსავლეთ საქართველოში, რომელიც განიცდის სასმელი წყლის დეფიციტს. იმისათვის, რომ შესწავლილიყო ალაზანი-იორის წყალშემკრები აუზის მიწისქვეშა წყლების სისტემა ჩატარდა ჰიდროგეოქიმიური და ბუნებრივი იზოტოპებური კვლევები: ორგანიზებული იქნა GNIP (ნალექების იზოტოპური შემადგენლობის გლობალური ქსელი) და GNIR (მდინარეების იზოტოპური შემადგენლობის გლობალური ქსელი) და ორგანიზებული იქნა ჰაერის ტემპერატურის, ტენიანობის და ნალექის მონიტორინგის სადგურები წყალშემცველი ჰორიზონტების განტვირთვისა და კვების არეებში. ასევე ალაზნსა და იორში წყლის დონისა და ხარჯის მონიტორინგი მიწისქვეშა წყლების დონისა ორ სადგურზე (ლაგოდეხი და დედოფლისწყარო). ჩატარდა ასზე მეტი წყლის სინჯის (მიწისქვეშა, მდინარის და ტბის) ანალიზი რათა შესწავლილიყო ალაზანი-იორის ტერიტორიაზე წყლების მთავარი იონებისა და იზოტოპების 18O, 2H და 3H შემადგენლობა. იდენტიფიცირებული იქნა მიწისქვეშა წყლების სამი ჯგუფი, რომელმაც გამოავლინა მინერალიზაციის ნომიმანტური გავრცელება ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, შირაქის სინკლინში ყველაზე მზარდი მინერალიზაციით. ამ ჯგუფებს შორის გეოქიმიური შემადგენლობა იცვლება Ca(Mg)/HCO3 ტიპიდან ყვარელის ჰორიზონტში

Na/SO4(Cl) ტიპამდე შირაქის სინკლინში. საკვლევი უბნის თითქმის ყველა ჰორიზონტი შეიცავს უფრო ძველი წყლების ნარევს, რომელიც არ შეიცავს ტრიტიუმს და 18O მხოლოდ მცირე კონცენტრაციით გვხვდება. მიუხედავად იმისა, რომ არტეზიული ჭაბურღილების სიღრმე 500 მ-მდეა, მათში წყალი მიეკუთვნება სახვადასხვა ჰიდროქიმიურ და იზოტოპური შემადგენლობის ჯგუფებს და განხილული უნდა იყვნენ ადგილობრივი სტრატიგრაფიის გათვალისწინებით. ალაზნის ველის მიწისქვეშა წყლები დაკავშირებულია არტეზიულ ჰორიზონტებთან და დადგინდა, რომ ისინი კარგი ხარისხისაა და რეკომენდირებულია სასმელად. არსებული წყლის რესურსების რაოდენობრივი შეფასებისათვის, შეიქმნა შირაქის ველის მიწისქვეშა წყლების ციფრული მოდელი. მოდელის კალიბრაცია მოხდა „გარდამავალი ტრანსპორტირების“ რეჟიმში, რათა მომხდარიყო შირაქის ველის ჭაბურღილებსა და წყაროებში გაზომილი ტრიტიუმის კონცენტრაციის ვალიდაცია. მოდელით განისაზღვრა კვებისა და განტვირთვის ზონები, მიწისქვეშა წყლების მოძრაობის მიმართულება და სიჩქარეები, ასევე, საკვლევ უბანში მიწისქვეშა წყლების ასაკი. ჩატარებული სამოუშაოების შედეგად შემუშავდა რეკომენდაციები დედოფლისწყაროს რეგიონისათვის კარსტული წყლების, როგორც ალტერნატიული წყაროს გამოყენებისა, რათა მიღწეული იქნას სასმელი წყლის რესურსების მდგრადი ექსპლოატაციის პირობები.

2	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნა-ლის/კრებუ-ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3 4 5	M. Zappa[1], T. Vitvar[2], A. Rücker[1], G. Melikadze[3], L. Bernhard[1], V. David[2], M. Jans-Singh[1], N. Zhukova[3], and M. Sanda[2]	A Tri-National program for estimating the link between snow resources and hydrological droughts	Volume 369, 2015	Proceeding of the International Association of Hydrological Sciences, Copernicus Publication	25-30,

ზამთარში თოვლის საფარის ზაფხულში მდინარეების მცირე ნაკადსა და გვალვიანობაზე ზეგავლენის დასადგენად გაანალიზებული იქნება სამი წყალშემკრები აუზის მონაცემები: ალფახის (ალპები, ცენტრალური შვეიცარია), გუჯარეთის-წყალი (მცირე კავკასიონი, ცენტრალური საქართველო) და კამენიცი (ჟიზერას მთები, ჩეხეთის რესპუბლიკის ჩრდილოეთი ნაწილი). I სისტემაზე დაფუძნებული ორი მოდელი მოახდენს სიმულირებას მდინარეების ნაკადის დაახლოებით ათი წლის მონაცემებისა წვიმისა და თოვლის რაოდენობის გაზომვებზე დაყრდნობით და მოახდენს მომავალში მეტეოროლოგიური ცვლილებების მოდელირებას. მოდელებში გამოყენებული იქნება წყალშემკრები აუზების გეოგრაფიული მონაცემები, ჰიდროლოგიური პროცესებისა და მდინარეებში ნაკადის რაოდენობის წვიმის შედეგად წარმოშობის შესახებ ინფორმაცია. ყოველივე ამის საშუალებით დადგინდება სავარაუდო ურთიერთდამოკიდებულება გაზაფხულზე თოვლის დნობასა და ზაფხულში გვალვიანობას შორის. ეს პროცესები მოიცავს თოვლის აკუმულაციას და დნობას, ევაპოტრანსპირაციას, მიწისქვეშა წყლების კვებას გაზაფხულზე რაც განაპირობებს ზაფხულში მდინარეების ნაკადს, და შესწავლილი იქნება ბუნებრივი იზოტოპების ^{18}O და ^{2}H საშუალებით. სხვადასხვა წყლის წყაროების იზოტოპური შემადგენლობის ცოდნა საშუალებას იძლევა განისაზღვროს წყლის ნაკადების მიმართულება და თოვლის ნადნობი წყლის მიწისქვეშ ყოფნის დრო და ასევე, მისი წილი მდინარეების კვებაში. მოდელების გამოყენება სხვადასხვა ან მეზობლად მდებარე წყალშემკრები აუზებისათვის შეისწავლის მათ პოტენციალს მომავალში და საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ წყალმეჩხერიანობის

პერიოდების ადრეული პროგნოზირება ევროპის სხვადასხვა მთიან ზონებში. სტატიაში განხილულია დაგეგმილ სამუშაოები: ბუნებრივი იზოტოპების უკვე არსებული მონაცემთა ბაზების ანალიზი, განტვირთვა, თოვლის ნადნობი წყლის ეკვივალენტის გათვლა და მოდელირების ექსპერიმენტები.

* სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3	გიორგი მელიქაძე	USING ENVIRONMENTAL TRACERS FOR INVESTIGATION OF SUBMARINE GROUNDWATER DISCHARGE ON THE TERRITORY ADJARA, GEORGIA	International conference The First SDSU-Georgia STEM WORKSHOP Nanotechnology and Environmental sciences, 5 September 2015, Tbilisi, Georgia
მიწისქვეშა წყლების სუბმარინული განტვირთვისას მასალის ტრანსპორტირების საკითხის შესწავლა მეტად საინტერესოა სამეცნიერო თვალსაზრისით. ზღვაში განტვირთვის უბნების დასაფიქსირებლად შერჩეული და დანერგილი იქნა ახალი ეკოლოგიური „ტრასერების“ ტექნოლოგია. მიწისზედა და საზღვაო კვლევების პროცესში წარმატებით იქნა გამოყენებული ეკოლოგიური „ტრასერების“ კომპლექსი–სტაბილური იზოტოპების 18O და 2H, რადიონუკლიდების Rn და Ra ნაკრები. ქობულეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი იქნა მიწისქვეშა წყლის ნაკადის მიმართულება და მისი განტვირთვის არეალები. გამოვლენის უბნებში განისაზღვრა აითროფიკაციის სიდიდეები– ნიტრატების და ფოსფატების კონცენტრაციები ნიადაგში და ზღვაში. ასევე, შესწავლილი იქნა მათი განაწილება ზედაპირზე და ზღვაში მათი ჩარეცხვის ინტენსივობა.			

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3	გიორგი მელიქაძე	Using Hydrogeophysical Research Methods for Assessment and Sustainable Development of Geothermal Resources of Georgia	EU-Eastern Partnership STI Cooperation in Addressing Energy Research and Innovation Policy Stakeholders Conference Minsk, Belarus, 12 - 13 October 2015
საქართველოს ტერიტორიაზე აღრიცხულია 30-108 ^{0}C ტემპერატურის მქონე წყლის 250-მდე ბუნებრივი (წყაროები) და ხელოვნური (ჭაბურღილები), ცალკეული და ჯგუფური გამოსავალი. მათი ჯამური დებიტი შეადგენს 160 ათასამდე მ3/დღეღამეში. ამჟამად, თერმული წყლების თითქმის ყველა საბადოზე გაცემულია ლიცენზია. მათი უმეტესი ნაწილი მოიხმარება სასათბურო მეურნეობებში და ჰიგიენური მიზნებისათვის (აბანოები), მცირე ნაწილი სათევზე მეურნეობისათვის. ცხელი წყლის მომარეგების სისტემაში ჩართულია მხოლოდ მცირე რაოდენობა 730.000 მ3 წელიწადში, ისიც ძირითადად ლისი-საბურთალოს რაიონის მოსახლეობისთვის. რეგიონებში საექსპლოტაციო ჭაბურღილების თავები და სასათბურე მეურნეობები მოწყობილია პრიმიტიულად და დიდი დანაკარგებით.			

პრობლემები

- დღეისთვის არსებული სისტემები გაუმართავი და პრიმიტიულია;
- სასათბურე მეურნეობები არაეფექტურია, რეალურად გამოიყენება ენერგიის მხოლოდ მცირე ნაწილი (20 ^{0}C) ხოლო დანარჩენი (40 -70 ^{0}C) ტყუილად იღვრება და იკარგება;
- არ ხდება წყლის ხარჯვის სეზონური რეგულირება ან უმექმედო ჭაბურღილების დაკეტვა;
- შეუსწავლელია საბადოების რეალური მდგომარეობა და დღეისთვის არსებული რესურსები.

პერსპექტივები

თერმული წყლების საბადოებზე წნევისა და დებიტის ვარდნის ტენდენციის შეჩერება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოპოვებულ თერმულ წყალს, მისგან სითბოს მოხსნის შემდეგ უკან ჩავაბრუნებთ წყალშემცველ ფენში, რაც ფართოდ არის დანერგილი გეოთერმული მრეწველობის მსოფლიო პრაქტიკაში. ამ გზით იქმნება ხელოვნური მიწისქვეშა გეოთერმული ცირკულაციური სისტემა (გცს). მათი შექმნა: იცავს თერმული წყლის საბადოს დაცლისაგან, განუსაზღვრელი დროით ახანგრძლივებს მისი ექსპლუატაციის ვადას, ინარჩუნებს ბურღილების საწყის წნევასა და დებიტს და რაც მთავარია, იცავს გარემოს დაბინძურებისაგან (დაჭაობება, თერმული დაბინძურება, საქვაბეების გაუქმებით ნახშირორჟანგის ემისიის შემცირება და სხვა). აქედან გამომდინარე, თერმული წყლების საბადოების ათვისებისას და დამუშავების პროექტის შედგენისას აუცილებელია დაიგეგმოს გცს-ების შექმნა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო აუცილებელი შეიქნა შეგვესწავლა თერმული წყლების საბადოებზე არსებული თანამედროვე სიტუაცია და ახლებურად შეგვეფასებინა მარაგები. ამ მიმართულებით საქართველოს გეოთერმულმა ასოციაციამ განახორციელა რამდენიმე პროექტი საერთაშორისო ფონდების მხარდაჭერით, რომლის დროსაც გამოყენებული იქნა კველევის თანამედროვე მეთოდები და აპარატურა.

რეკომენდაციები

- **შესასწავლია გეოთერმული რესურსები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ახალი საბადოების გამოვლენისა და ძველი საბადოების მარაგების დაზუსტების მიზნით**
- **საბადოებზე აუცილებელია ექსპლუატაციის თანამედროვე ტექნოლოგიური სისტემების დანერგვა.**
- **გეოთერმული ცირკულაციური სისტემების შექმნა**

საჭიროა მეწარმეებისთვის ხელშემწყობი პირობების შესაქმნელად საკანონმდებლო ბაზის შემუშავება, კერძოდ:

-გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტები;

-პროდუქციის შესყიდვის გარანტიები;

-ლიცენზიის პირობებში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებისას შეღავათებისა და წახალისების გათვალისწინება.

რაც საბოლოო ჯამში ეს ხელს შეუწყობს საქართველოში გეოთერმული ენერგეტიკის, როგორც ერთ-ერთი ყველაზე იაფი, ეკოლოგიურად სუფთა, პრაქტიკულად ენერგიის ამოუშრეტი წყაროს განვითარებას და მისი როლის გაზრდას ქვეყნის ენერგობალანსში. ეს თავის წვლილს შეიტანს უდანაკარგო წარმოების განვითარებასა და გლობალური დათბობის პრობლემის გადაწყვეტაში.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3	გიორგი მელიქაძე	"Evaluation of recharge origin of groundwatersin aquifers in the East Georgia, using hydrochemical and isotope approaches	42nd International Congress of IAH AQUA2015, 13-19 September, 2015, Rome, Italy

გაანალიზირებული იქნა ძირითადი იონური შემადგენლობა და სტაბილური იზოტოპების (^{18}O, ^{2}H და ^{3}H) შემცველობა ალაზანი-იორის აუზის ზედაპირულ და წვიმის წყლებში. დადგენილი იქნა მიწისქვეშა წყლების ძირითადი სამი ჯგუფი, ასევე მინერალიზაციის ზრდა ჩრდილოეთიდან სამხრეთი მიმართულებით, მისი უმაღლესი მნიშვნელობების დაფიქსირებით შირაქის ველზე. გეოქიმურად აღნიშნულ ჯგუფებში ფიქსირდება $Ca(Mg)/HCO_3$ ტიპის წყლების ცვლილება $Na/SO_4(Cl)$ ტიპით. შირაქის ველზე. თითქმის ყველა წყალშემცველი ჰორიზონტი შეიცავს ძველი (1950 წლამდე), განამარხებული ტიპის პალეო-წყლებს, რომლებშიც არ ფიქსირდება ტრიტიუმის შემცველობა, ხოლო ჟანგბადის იზოტოპების ($\delta^{18}O$) შემცველობა იცვლება -11 დან -13 მდე (per mil SMOW). თითქმის ყველა არტეზიული ჭაბუღღილის სიღრმე აჭარბებს 500 მ. მათ მიერ გახსნილი წყალშეცველი ჰორიზონტები თავისი ქიმიური და იზოტოპური შემადგენლობით მიეკუთვნებიან სვადასხვა ჯგუფებს და განპირობებული არიან ადგილობრივ სტრატიგრაფიით. მიწისქვეშა წყლების გენეზისის შესწავლია მიზნით შემუშავდა საკვლევი რეგიონის ციფრული მოდელი. ის შედგება 20 ფენისგან. თითოეული ფენა შედგება სხვადასხვა გამტარებლობის ფოროვალი გარემოსაგან. მოდელში განსაზღვრული იქნა კვებისა და განტვირთვის არეალები. ასევე დაფიქსირდა წყლის გადაადგილების გზები, სიჩქარე და მიწისქვეშ მოძრაობის პერიოდი. რეკომენდირებულია დედოფლის-წყაროს კარსტულ წყლების გამოყენება სასმელი წყლის ალტერნატიულ რესურსად

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3	ნინო კაპანაძე	Investigation of Submarine Groundwater Discharge for Preventing Pollution and Eutrophication of the Coastal Black Sea “ზღვის სანაპიროების დაბინძურებისა და აითროფიკაციის პრევენციის მიზნით მიწისქვეშა წყლების ზღვისქვეშა განტვირთვის შესწავლა, შავი ზღვის სანაპიროზოლი”.	BS ERA NET, HORIZON 2020, The EU Bucharest Project Review Workshop, 12th May 2015.UEFISCDI - Executive Agency for Higher Education, Research, Development and Innovation Funding, Bucharest, Romania

ბუქარესტის შეხვედრაზე წარდგენილი იქნა აღნიშნული პროექტის შედეგები. კერძოდ:

შავი ზღვის დაბინძურების პრობლემატიკის გადაჭრის მიზნით განხორციელდა ერთობლივი კვლევები რუმინეთისა და საქართველოს ტერიტორიაზე, გერმანიისა და საბერძნეთის მწამყვანი მეცნიერების თანამონაწილეობით.

მიწისქვეშა წყლების ზღვაში განტვირთვის უბნების დასადგენად შეირჩა და დაინერგა ეკოლოგიური ”ტრასერების” გამოყენების ახალი მეთოდოლოგია.

წარმატებით გამოყენებული იქნა საზღვაო და სახმელეთო კვლევათა კომპლექსი, ისეთი ეკლოგიური ”ტრასერების” გამოყენებით, როგორებიცაა ჟანგბადის 18O და წყალბადის 2H სტაბილური იზოტოპები, რადონი -Rn და რადიუმი-Ra და სხვა პარამეტრები.

დადგენილი იქნა მიწისქვეშა წყლის ნაკადის მოძრაობის და ზღვაში განტვირთვის უბანი ქობულეთის ტერიტორიაზე და განისაზღვრა მისი არეალი. დადგინდ დაბინძურების ზედაპირული ხასიათი.

გამოვლენილი უბნის ფარგლებში განსაზღვრული იქნა აითროფიკაციის ინტენსივობა-ნიტრატების და ფოსფატების მნიშვნელობები მიწისქვეშა წყლებში და ზღვაში დღევანდელი მდგომარეობით. ასევე, შესწავლილი იქნა მათი გავრცელება ფართობზე და ზღვაში ჩარეცხვის ინტენსივობა.

გაკეთდა პროგნოზი მათი ცვლილებების შესაძლებლობის შესახებ და გაეწია რეკომენდაცია

შემდგომში ამ უბნებზე მაკონტრირებელი გაზომვების საწარმოებლად.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	სოფიო ვეფხვაძე	Natural analogue investigation for CCS in the Southern Caucasus CauCasCCS BS-ERA.Net 018	UEFISCDI - Executive Agency for Higher Education, Research, Development and Innovation Funding Bucharest,Romania,10.05. 2015
Black Sea Horizon - BSH project სამუშაო ჩარჩო პროგრამის ფარგლებში, უმაღლესი განათლების, კვლევის , განვითარებისა და ინოვაციების სააგენტოს (*UEFISCDI)* ორგანიზებით გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომლის მიზანს წარმოადგენდა *BS-ERA.NET-ის* მიერ დაფინანსებული 11 სამეცნიერო პროექტის კოორდინატორების შეხვედრა , მათი თანამშრომლობის გამოცდილებისა და პროექტების შედეგების გაზიარება. საქართველოს მხრიდან წარმოდგენილი იყო პროექტის შედეგები ბუნერივი ანალოგების შესწავლაზე სამხრეთ საქართველოსათვის.			

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
2	სოფიო ვეფხვაძე	International School on Geothermal development	International center for Theoretical physics (ICTP) Trieste,Italy 10-12.12.2015
თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრის *(ICTP)* ორგანიზებით გაიმართა საერთაშორისო სწავლება გეოთერმიის განვითარებისათვის, რომლის მიზანს წარმოადგენდა გეოთერმული საბადოების შესწავლა და მათი გამოყენება ენერგორესურსებად, აღნიშნული მიმართულებით საერთაშორისო მიღწევების და გამოცდილებების გაზიარება განვითარებადი ქვეყნების ახალგაზრდა მკვლევართათვის. გეოთერმული რესურსების შესწავლისათვის გამოყენებული იყო გეოფიზიკური, გეოლოგიური, გეოქიმიური და ინჟინრული კვლევები და სასწავლო კურსი დაფუძნებული იყო ექსპერტების მიერ ჩატარებულ ლექციებზე, მოიცავდა ლაბორატორიულ და სადისკუსიო სეზონებს.			

ნოდარ თხელიძე საერთაშორისო ატომური ენერგიის სააგენტოს პროექტის ფარგლებში, 02-23.11.2015 პერიოდში, იმყოფებოდა ანკარის უნივერსიტეტში, თურქეთში ტრეინიგზე „ჰიდროგეოლოგიური მოდელირება და იზოტოპური და ჰიდროქიმიური მეთოდოლოგიის გამოყენება ჰიდროგეოლოგიაში“

* საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	”ატმოსფერულ ნალექებში და	გიორგი მელიქაძე	მარიამ თოდაძე, სოფიო

	მდინარეებში იზოტოპების გლობალური ქსელის ფუნქციონირება, მუდმივი მონიტორინგი - მუდმივმომქმედი" დამფი-ნანსებელი: ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო" მუდმივმომქმედი		ვეფხვაძე, ალექსანდრე ჭანკვეტაძე, ნინო კაპანაძე, თამარ ჯიმშელაძე, ნატალია ჟუკოვა, გენადი კობზევი
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
	პროექტის ფარგლებში წარმოებული დაკვირვებები მნიშვნელოვანი ნაწილია საერთაშორისო პროექტისა. იგი საშუალება გვაძლევს შევისწავლოთ საქართველოს ტერიტორიაზე სტაბილური იზოტოპების განაწილება და მათი ფონური მნიშვნელობები, რაც საბაზისო საფუძველია შემდგომი კვლევებისთვის. ამჟამად, მიმდინარეობს თბილისის, ბაკურიანის, თიანეთის, თელავის, ლაგოდეხის, დედოფლის-წყაროს, ჭალადიდის, გუდაურის მეტეო-სადგურებზე და ლიკანის, თბილისის, შაქრიანის, ჭალადიდის, ჰიდროლოგიურ საგუშაგოზე ყოველთვიური დასინჯვები. სტაბილური იზოტოპების (^{18}O, ^{2}H da ^{3}H) შემცველობების დადგენის მიზნით ანალიზი ტარდება გეოფიზიკის ინსტიტუტის კვლევით ცენტრის ლაბორატორიასა და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოში. გარემოში იზოტოპების მიგრაციის დასაფიქსირებლად თვეში ერთხელ ხდება სინჯების აღება იზოტოპური შემადგენლობის გასაზომად "გარემოს ეროვნული სააგენტოს" მიერ. იგი ასევე უზრუნველყოფს დაკვირვების პუნქტებზე ჰაერის ტემპერატურეს, ნალექების და აორთქლების რაოდენობის ყოველდღიურ გაზომვებს, შემდეგ დაკვირვების მონაცემების გეოფიზიკის ინსტიტუტისთვის გადაცემას. „გეოფიზიკის ინსტიტუტი" თავის მხრივ უზრუნველყოფს სინჯების აღებისათვის საჭირო ჭურჭლის მიწოდებას, მათ ანალიზს და საკონტროლო სინჯების გადაგზავნას ანალიზისთვის საერთაშორისო ატომური ენერგიის სააგენტოში. მიღებული ინფორმაცია და მასალები ანალიზდება გეოფიზიკის ინსტიტუტის კვლევითი ცენტრის თანამშრომლების მიერ		
№	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	„თოვლის რესურსები და მთის მდინარეებში ჰიდროგეოლოგიური წყალმეჩხერიანობის ადრეული პროგნოზირება 2014-2017" ერთობლივი კვლევითი პროექტი (შვეიცარია-საქართველო-ჩეხეთის რესპუბლიკა) SCOPES - ის ფარგლებში	გიორგი მელიქაძე	ნატალია ჟუკოვა; სოფიო ვეფხვაძე; მარიამ თოდაძე; ალექსანდრე ჭანკვეტაძე; ნინო კაპანაძე; რამაზ ჭითანავა, თორნიკე ჭიკაძე, გიორგი ქაჯაია

	აღნიშნული პროექტის მიზანს წარმოადგენს შესწავლილი იქნას თოვლის რაოდენობა, შეფასდეს ურთიერთდამოკიდებულება მასსა და წარმოქმნის მცირე ნაკადს შორის, გაკეთდეს პროგნოზი სამომავლო პროცესებისა. ეს პროექტი ერთროულად ტარდება სამი მთის მდინარეზე: ცენტრალურ შვეიცარიაში (ჩრდილოეთ ალპები), ჩრდილოეთი ჩეხეთის რესპუბლიკა (იაზერას მთები) და ცენტრალური საქართველოში (მცირე კავკასიონი). ევროპაში წინა პერიოდში განხორციელებული კვლევების დროს პროცესები შესწავლილია და სტატისტიკურად შეფასებულია ზოგადად. ძალიან ცოტაა ცნობილი თოვლის დნობის დომინანტურ როლზე, მიწისქვეშა წყლების კვებასა და ევაპოტრანსპირაციაზე. დაუზუსტებელია მისი როლი მდინარეებში წყლის ნაკადის რაოდენობის გენერაციაში ზაფხულსა და შემოდგომაზე. საკვლევ რაიონში, ბორჯომი-ბაკურიანის ტერიტორიაზე, 2015 წლიდან ორგანიზება გაუკეთდა რეჟიმულ მეტეო (ბაკურიანი, ტბის, წაღვერის და მიტარბის) და ჰიდროლოგიურ (ბორჯომულა, გუჯარეთის -წყალი და მიტარბი) დაკვირვებებს. მიმდინარეობს ყოველდღიური მეტეო დაკვირვებები (ატმოსფერული ნალექები, ტემპერატურა და ტენიანობა) და ყოველკვირეულად ხდება სტაბილური იზოტოპების სინჯების აღება. ეს პროექტი მნიშვნელოვანია ერთის მხრივ, იმით რომ, სხვადასხვა გეოგრაფიულ პირობებში სამივე წყალშემკრები აუზისთვის, წყლის ნალექიანობა-ჩამონადენის რაოდენობრივი ცვლილებების შესასწავლად, განხორციელდება სიმულაცია და პროგნოზირება სპეციალური ჰიდროგეოლოგიური პროგრამების PREVAH და GSSHA პარალელური გამოყენებით. მეორეს მხრივ, წყლის ჩამონადენის გენერირება თოვლის დნობისა და მიწისქვეშა წყლების განტვირთვის ხარჯზე, გამოკვლეული იქნება ბუნებრივი იზოტოპების გამოყენებით. მესამე, დადგინდება დამოკიდებულება ჰაერის ტემპერატურის ანომალიებს, გაუდაბნოების ინდექსს, ევაპოტრანსპირაციის პოტენციალსა და ჩამონადენის გენერაციის პროცესებს შორის, რაც საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ მცირე ნაკადებისა და ჰიდროლოგიური “გვალვების” უკეთესი სიმულირება. Eეს მიდგომები ემყარება ცოტა ხნის წინ შვეიცარიასა და ჩეხეთის რესპუბლიკაში გამოყენებულ მოდელებს, რასაც Gგანსხვავებულ გეოგრაფიულ პირობებში ეხპერიმენტული სამუშაოებისა და მოდელის პარამეტრიზაციის ჩატარების საერთაშორისო თანამშრომლობაში განვითარების დიდი პოტენციალი გააჩნია.		
№	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	„საქართველოს გეოთერმული პოტენციალის შესწავლა მოქმედ თერმულ ჭაბურღილებში სითბური ნაკადის მნიშვნელობების განსაზღვრით გზით 2013-2015“ გერმანიის განათლების და მეცნიერების ცენტრი	გიორგი მელიქაძე	სოფიო ვეფხვაძე; ნინო კაპანაძე; თამარ ჯიმშელაძე; მარიამ თოდაძე; ალექსანდრე ჭანკვეტაძე; გიორგი ქაჯაია; თორნიკე ჭიკაძე,
	პროექტის ფარგლებში, სითბური ნაკადის განსაზღვრის მიზნით ჩატარდა ერთობლივი		

	კვლევები გერმანელ კოლეგებთან ერთად. კერძოდ, საქართველოში არსებულ ღრმა ჭაბურღილებში ჩატარდა რეჟიმული დაკვირვებებით სითბური გრადიენტის განსაზღვრისა და ამდები ქანების თბური თვისებების დასადგენად. დაკვირვებები წარმოებდა სპეციალიზირებული გერმანელი კოლეგების მიერ გადმოცემული აპარატურის მეშვეობით. სპეციალისტის მომზადების მიზნით, ახალგაზრდა მეცნიერმა (სოფიო ვეფხვაძემ) გაიარა ტრეინინგი კლაუსტალის ტექნიკურ უნივერსიტეტში (გერმანია)

კოსმოფიზიკის ობსერვატორია.

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ირაკლი ტუსკია.

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა: ნუგზარ ღლონტი, ნოდარ ხაზარაძე, თეიმურაზ ბაქრაძე, ირაკლი ტუსკია

1. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

#	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	მიმართულება: ასტროფიზიკა. კოსმოსური სხივების მეორადი, ნეიტრონული კომპონენტის ინტენსივობის და ატმოსფერული წნევის უწყვეტი რეგისტრაცია. პირველადი დამუშავება და ანალიზი. მიღებული მონაცემების საერთაშორისო გაცვლის ცენტრში განთავსება.	ირაკლი ტუსკია	ნუგზარ ღლონტი ნოდარ ხაზარაძე თეიმურაზ ბაქრაძე ზურაბ დემურიშვილი ზეინაბ ყვავაძე ლამარა ოსეფაიშვილი გიორგი ერქომაიშვილი ტერეზა ერქომაიშვილი ნინო ვანიძე
	დასრულდა 2015 წლის მონაცემების (ნეიტრონული კომპონენტისა და ატმოსფერული წნევის) რეგისტრაცია, დამუშავება და სისტემატიზირება. დადგინდა კავშირის კოეფიციენტები კოსმოსური სხივების ნეიტრონულ კომპონენტსა და ატმოსფერულ წნევას შორის. საბოლოო მონაცემები განთავსდა მონაცემთა საერთაშორისო ცენტრში.		
2	მიმართულება: ასტროფიზიკა. მზე-დედამიწის კავშირების მონაცემების გამოყენებით,	ნოდარ ხაზარაძე	თეიმურაზ ბაქრაძე ირაკლი ტუსკია ზეინაბ ყვავაძე

	მოძრაობის რაოდენობის მომენტის შენახვის კანონის საფუძვლებზე, ძლიერი, დამანგრეველი მიწისძვრების შესწავლა.		
	განხილულია მოძრაობის რაოდენობის მომენტის შენახვის კანონის ახალი ინტერპრეტაცია, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ძლიერი, დამანგრეველი მიწისძვრების პროგნოზირებისათვის მაგნიტუდით M = 6 და მეტი. გამოვლენილია მიღებული კანონის ქმედითუნარიანობა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დედამიწა საპლანეტთაშორისო მაგნიტური ველის ნეიტრალური ფენას გადაკვეთს, აგრეთვე ძლიერი აალებისას მზეზე.		

პუბლიკაციები
საქართველოში

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებუ¬ლის დასახელება	ჟურნა-ლის/კრებუ¬ლის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნოდარ ხაზარაძე თეიმურაზ ბაქრაძე ლია კორძაძე ირაკლი ტუსკია ეკატერინე ბაზერაშვილი ზეინაბ ყვავაძე მიხეილ ელიზბარაშვილი	მოძრაობის რაოდენობის მომენტის შენახვის კანონის გავლენა დედამიწის ტექტონიკაზე, როდესაც დედამიწას უხდება საპლანეტთაშორისო მაგნიტური ველის ნეიტრალური ფენის გადაკვეთა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის მიხეილ ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის, შრომების კრებული.	ტომი # LXV	ქ.თბილისი. გეოფიზიკის ინსტიტუტი.	3
განხილულია მოძრაობის რაოდენობის მომენტის შენახვის კანონის ახალი ინტერპრეტაცია, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ძლიერი დამანგრეველი მიწისძვრების პროგნოზირებისთვის 6. გამოვლენილია მიღებული კანონის ქმედითუნარიანობა, განსაკუთრებით მაგნიტუდით M მაშინ, როდესაც მზეზე ხდება ძლიერი აალებები და დედამიწას უხდება საპლანეტთაშორისო მაგნიტური ველის ნეტრალური ფენის გადაკვეთა.					

დუშეთის გეოფიზიკური ობსერვატორია

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი მეც.აკად. დოქტორი რობერტ გოგუა

თამაზ მათიაშვილი – მეცნიერ თანამშრომელი

ბელა ლოსუერაშვილი – ლაბორანტი

გიორგი კიკუაშვილი – ლაბორანტი

გიული ტუშური – ლაბორანტი

1.საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
№			
1	დედამიწის მაგნიტური ველის H, D, ძ მდგენე-ლების ვარიაციების უწყვეტი რეგისტრაცია და აბსოლუტური მნიშვნე-ლობების განსაზღვრა. სამეცნიერო მიმართულება – გეომაგნეტიზმი.	რობერტ გოგუა	1. თამაზ მათიაშვილი 2. ბელა ლოსუერაშვილი 3. გიორგი კიკუაშვილი 4. გიული ტუშური 5. ოთარი მოსიაშვილი 6. ვახტანგი თანიაშვილი 7. ამირან ბულაური
2015 წელს დუშეთის გეოფიზიკურ ობსერვატორიაში მიღებული (რეგისტრირებული) უწყვეტი, დღე-ღამური, სამეცნიერო ინფორმაცია დედამიწის მაგნიტური ველის ვარიაციების (H-ჰორიზონტალური, ძ-ვერტიკალური, D-მიხრილობის კუთხე) შესახებ დამუშავებული და გაგზავნილია (ინტერნეტის საშუალებით) მონაცემთა მსოფლიო ცენტრში (ქ. კიოტო, იაპონია) და ინერგება მონაცემთა საერთაშორისო გაცვლის სისტემაში. გამომდინარე აქედან გვაქვს უფლება უფასოდ მივიღოთ მონაცემთა მსოფლიო ცენტრში დაგროვილი მთელი ინფორმაცია დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგში და გამოვიყენოთYჩვენს სამეცნიერო კვლევებში.			

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახე-ლება მეცნიერების დარგისა და სამეც-ნიერო მიმართულე-ბის მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	გეოდინამიკური	შოთა რუსთაველის	აკადემიური	მ. დევიძე

1	ველის სივრცულ-დროითი ვარიაციები და მისი გავლენა ღრმა წყალშემცველ ჰორიზონტებზე და მაგნიტურ ველზე	ეროვნული სამეცნიერო ფონდი	დოქტორი მარინე დევიძე	გ. მელიქაძე რ. გოგუა გ. კობზევი

პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2	Табагуа Г.Г. Гогуа Р.А.	Петромагнетизм и магнитное поле каинозойских интрузивов территории Грузии	Труды Ин-та геофизики им. М.Нодиа т. LXV, 2015	გეოფიზიკის ინსტიტუტი	5 გვერდი
შესწავლილია საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული კაინოზოური ინტრუზივების მაგნიტური ველი და პეტრომაგნეტიზმი. დადგენილია სხვადასხვა ინტრუზივებს შორის მსგავსება-განსხვავება მაგნიტური პარამეტრების (æ, Iნ, Q) და მაგნიტური მინერალების მიხედვით. დადგენილია აგრეთვე, რომ ძიების მაგნიტური მეთოდი ეფექტურია მსგავსი ინტრუზივების ძიებისა და კარტირებისათვის.					

ინსტიტუტის დირექტორი, მეც.აკად. დოქტორი ნ. ღლონტი

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიკოსი თ. ჭელიძე

თსუ ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის 2015 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის წლიური ანგარიში

1. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია “საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ” საქართველოს კანონის (მუხლი მე-4) და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წესდების (პუნქტი მე-5) თანახმად ატარებს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სამეცნიერო საქმიანობის წლიური ანგარიშებისა და დასრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ექსპერტიზას;
2. ექსპერტიზაზე წარმოდგენილი სამეცნიერო საქმიანობისა და დასრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ანგარიში სრულად უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ შემდეგ ფორმებს.

* სამეცნიერო ერთეულის დასახელება – **ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი**

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი - **ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი – სვიმონ დალაქიშვილი**

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა :

კლინიკური და ექსპერიმენტული პათოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი – მედ. მეცნ. დოქტ., პროფ. ლიანა გოგიაშვილი

კლინიკური ანატომიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი – მედ. მეცნ კანდ. მიხეილ ჯანგავაძე

ტრანსლაციური ბიომედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი - მედ. მეცნ. დოქტ. ნინო გორდაძე

გერონტოლოგიისა და პალიატიური მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი – მედ. მეცნ კანდ. ნანა ბაკურაძე

ციტოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი – მედ. მეცნ. დოქტ., პროფ. ზურაბ ცაგარელი

პათოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი – მედ. მეცნ. დოქტ. თამარ ღვამიჩავა

მოლეკულური ბიოლოგიისა და გენეტიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელი – მედ. მეცნ. კანდ. ნანა გოიშვილი

ანდროლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი – ბიოლ. მეცნ. დოქტ. ციური სუმბაძე

მთავარი მეცნიერ თანამშრომლები:

მედ. მეცნ. დოქტ., პროფ. დ. კორძაია,
მედ. მეცნ დოქტ. ნ. ჭიჭინაძე
მედ. მეცნ კანდ. თ. მაჭავარიანი,
მედ. მეცნ კანდ. მ. წილოსანი,
მედ. მეცნ კანდ. მ.კაკაბაძე,
ბიოლ. მეცნ კანდ. ნ. დიდებულიძე,
მედ. მეცნ კანდ. ი. გაჩეჩილაძე,
მედ. მეცნ კანდ. ნ. სალამატინა,
მედ. დოქტ. ნ. ხოდელი,
მედ. მეცნ კანდ. ზ. ჩხაიძე.

უფრ. მეცნ. თანამშრომლები:
მედ. მეცნ კანდ. მ. დგებუაძე,
მედ. მეცნ კანდ. ე. ნიკობაძე,
ვეტ. მეცნ კანდ. მ. კორძაია,
ბიოლ. მეცნ კანდ. ლ. მეტრეველი,
მედ. მეცნ კანდ. მ. მჭედლიშვილი,
მედ. მეცნ კანდ. მ. ერემაშვილი,
მედ. მეცნ კანდ. ი. ხახუტაიშვილი,
მედ. მეცნ კანდ. მ ღუღუნიშვილი,
მედ. მეცნ კანდ. ე. მელიქაძე,
დოქტორანტი დ. მაკარიძე,
დოქტორანტი თ. ლეკაშვილი.
მეცნ. თანამშრომლები
ფიზ. მეცნ. დოქტ. მ. ჯიბლაძე,
მედ. მეცნ კანდ. ი. სიხარულიძე,
მედ. მეცნ კანდ. ი. კირვალიძე,
მედ. მეცნ კანდ. გ. ფიჩხაია,
ბიოლ. მეცნ კანდ. მ. ამირანიძე,
ქიმ. მეცნ კანდ. ს. გვიდანი,
ეკონომ. მეცნ. კანდ. რ. ლორთქიფანიძე,
თ. კვაჭაძე,
ვ. ლობჯანიძე,
რ. ჯოჯუა,
ნ. წიქორიძე,
ვ. ლალებაშვილი,
ზ. ბუკია,
თ. ასათიანი.

I. **1.** <u>საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით</u> 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

I.

II. 2.

თსუ ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით დაგეგმილი 2014–2016 წლების სამეცნიერო პროგრამა შედგება 3 ნაწილისაგან:

I. ონკომორფოლოგია - მოიცავს ორ პროექტს:
   - I.1 ჰორმონდამოკიდებულ ორგანოთა კიბოსწინა პროცესების და დისპლაზიების მორფოლოგიური დახასიათება უჯრედთა რეცეპტორული სტატუსის შეფასებით ონკოლოგიური რისკის ადრეული დიაგნოსტიკის და პრევენციის მიზნით
   - I-2 საქართველოში ძუძუსა და ფილტვის კიბოს მოლეკულური ეპიდემიოლოგია - მოლეკულური და მორფოლოგიური კლასიფიკაციების კორელაცია

II. დაავადებათა და პათოლოგიურ მდგომარეობათა მოდელირება - მოიცავს ორ პროექტს:
   - II -1. რეზექციის შემდგომ დარჩენილი და გადანერგილი ნახევარი ღვიძლის რეგენერაცია ანუ რეგენერაცია დენერვაცია– დელიმფატიზაციის ფონზე. ჰეპატოციტები თუ ღეროვანი უჯრედები?
   - II-2 ორგანოთა კონსერვაციის ახალი მეთოდის შემუშავება

III. დემოგრაფიული დაბერების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები - მოიცავს ერთ პროექტს:
   - დემოგრაფიული დაბერების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში და მათი გადაწყვეტის გზების ძიება

*** საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები**

№	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
I I-1	*სამეცნიერო მიმართულება - მედიცინა; ონკომორფოლოგია* 1. ჰორმონდამოკიდებული ორგანოთა კიბოსწინა პროცესების და	*ლ. გოგიაშვილი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*	მთავარი მეცნიერ თანამშრომლები: პროფ. ზ. ცაგარელი, ც. სუმბაძე, ი. გაჩეჩილაძე, თ. ღვამიჩავა, თ. მაჭავარიანი;

	დისპლაზიების მორფოლოგიური დახასიათება უჯრედთა რეცეპტორული სტატუსის შეფასებით ადრეული დიაგნოსტიკის და პრევენციის მიზნით		**უფრ. მეცნ. თანამშრომლები.:** მ. დგებუაძე, ე. ნიკობაძე, ე. მელიქაძე. **მეცნ. თანამშრომელი:** თ. კვაჭაძე

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები

1. 2015 წლის სამეცნიერო პროგრამის ძირითადი ამოცანებიდან გამომდინარე, კვლევა ფოკუსირებული იქნა ფარისებრი ჯირკვლის უჯრედული დისპლაზიის და მეტაპლაზიის ისეთი ვარიანტების დახასიათებაზე, როგორიცაა ფჯ სიმსივნური დაზიანების ასოციაცია 1) აუტოიმუნურ პათოლოგიასთან Hashimoto-ს თირეოიდიტი, Riedel-ის თირეოიდიტი), Hűrtle-ის უჯრედების მეტაპლაზიური ცვლილებები, გამოხატული ადენომატოზური ინფილტრაციული ან კეროვანი დაზიანებით.

2015 წლის სამეცნიერო კვლევების შედეგების შეფასებით დადგენილია, რომ თირეოგლობულინის მაპროდუცირებელი მიტოქონდრიებით მდიდარი Hűrtle –ის ეპითელური უჯრედები წარმოდგენილია თირეოიდული ნეოპლაზიის, აუტოიმუნური და კვანძოვანი დაზიანების უბნებში ონკოციტური მეტაპლაზიის ფორმით, რაც შემთხვევათა 75% აღწერილია როგორც, ონკოლოგიური რისკი.

Hűrtle –ის უჯრედები რეცეპტორული სტატუსის და მეტაპლაზიის შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად საანგარიშო პერიოდის კვლევებში გამოყენებულია Hűrtle–ის სპეციფიური მიტოქონდრიული ცილა S-100 (clone RTU-S100q პოლიკლონური ანტისხეული, BioGenex (UK), თირეოიდული მატრანსფორმაციებელი ფაქტორი TTF-1 (clone SPT24, "Novocastra") და ექსპრესიული აქტივობის შეფასება, ასევე ანგიოგენეზის და ნეოანგიოგენეზის პროცესების აქტივობის კვლევა, რაც ერთობლიობაში წარმოდგენას გვაძლევს ფჯ პარენქიმის უჯრედული ტრანსფორმაციის, ზრდის ფაქტორების სინთეზის უნარისა და ინვერსიული მდგომარეობის შესახებ.

მასალა: საანგარიშო პერიოდში (2015 წ. 01-12) შესწავლილია შემდეგი სახის ოპერაციულ-ბიოფსიური მასალა – სულ 308 შემთხვევა, მათ შორის – 122 მრავალკვანძოვანი ადენომატოზური ჩიყვი, 85 - კვანძოვანი ჩიყვი, Hűrtle უჯრედოვანი ჰიპერპლაზია (ადენომა, ადენომატოზი) n=36 (≈11%), დიფუზურ-ტოქსიკური ჩიყვი - 12, აუტოიმუნური თიროიდიტი (Hashimoto)- 48, რიდელის თირეოიდიტი (Riedel's struma) – 5.

მეთოდები:

1. ზოგადჰისტოლოგიური (H@E

2. იმუნოჰისტოქიმიური:

2. 1. თირეომასტიმულაციებელი ჰორმონის რეცეპტორული აქტივობა (TSH), (n=10)

2.2. S-100 პროტეინი (n=10)

2.3. TTF-1 (n=10)

2.4. პანენდოთელური ზრდის ფაქტორის რეცეპტორი VGF (n=10)

2.5. ენდოთელური (ჰემოპოეზური) უჯრედის ზრდის ფაქტორი


2.6. ა) მორფომეტრიული კვლევა (H@E მიკროსკოპია) – ფჯ სტრუქტურული ელემენტების რაოდენობრივი მახასიათებლები: ა) თიროიდული პათოლოგიის დროს (დიფუზურ-ტოქსიკური, კვანძოვანი ეუთიროიდული ჩიყვი, აუტოიმუნური თიროიდიტი Hashimoto). (იხ. ცხრილი 1).

ბ) მიკროსისხლძარღვთა სიმჭიდროვე.

2.7. სტატისტიკური კვლევა - იმუნოჰისტოქიმიური რეაქციის შედეგების SPSS-22.0 version, Mann Whitney სტუდენტის კრიტერიუმის შეფასებით.

შედეგები:


- დადგენილია, Hűrtle–ის უჯრედების ჰიპერ- და მეტაპლაზიური ტიპის ცვლილებები ყველა გამოკვლეული შემთხვევის 17,6 %-ში Hűrtle–ის ადენომატოზური ინფილტრაციული კერების მულტიფოკალური მიკროადენომების ფორმირების სახით. Hűrtle–ის მიტოქონდრიული სპეციფიკური ცილის აქტივობის მაღალი ექსპრესიით აღნიშნულ უბნებში ჰიპერ- და ეუთიროიდული მდგომარეობის შესაბამის ცვლილებებთან შედარებით (სურ. 1).




სურ. 1. ცილა S-100 (clone RTU-S100q აქტივობა Hűrtle–ის ადენომატოზურ

კერაში. X 160.

TTF-1 ექსპრესიის ტიპი, განაწილება და ინტენსივობა პირდაპირ ხაზოვან კორელაციაშია ფჯ ქსოვილის არქიტექტონიკის დეზორგანიზაციასა და დისპლაზიური პროცესების გავრცელების ხარისხთან (სურ. 2ა,ბ).



ა




ბ

- მორფომეტრული პარამეტრები (სტრუქტურათა ფართობი და ხაზოვანი ზომები) მინიმალურია ჰიპოთირეოზული მდგომარეობის - Hashimoto-ს თირეოიდიტის დროს, მაქსიმალური – დიფუზური ტოქსიკური ჩიყვის დროს (დტჩ).
- სისხლძარღვთა სიმჭიდროვის მაჩვენებლის (MVD) მიხედვით მოხდა ფჯ ქსოვილის ცვლილებათა კატეგორიზაცია 3 ძირითად ჯგუფად:
  1) მაღალი MVD – დტჩ
  2) MVD ზოგადი დაბალი დონე ეუთიროიდული კვანძები
  3) MVD შუალედური ვარიანტი - Hashimoto-ს და რიდელის თიროიდიტი.
- თიროიდული პარენქიმის რეცეპტორული აქტივობა სისხლძარღვთა ზრდის ფაქტორების მიმართ VEGF და CD34 ცილის მიმართ, როგორც ზრდის პერივასკულური ზონების შეფასების ობიექტური კრიტერიუმები, საშუალებას იძლევა შევაფასოთ ეს მაჩვენებელი, როგორც 2 აუტოიმუნური პათოლოგიის დიფერენციული კრიტერიუმი.

ცხრილი – გრაფიკი

	Hashimoto lymphoid option	**Hashimoto fibrotic option**	**Hashimoto + Huirtle**	**Nodular goiter**	**Diffuse toxic goiter**	**Norm**
TSH	4,68	7,95	2,52	1,02	3,92	1,71
FT_4	2,02	1,06	2,47	1,90	1,42	1,20
FT_3	3,82	0,57	1,36	9,53	2,58	2,64
TPO	13,77	13,56	11,80	2,36	1,63	1,20



კორელაცია თიროიდული ანტიპეროქსიდაზული ანტისხეულების (TPO) ტიტრსა, ტრიიოდთირონინის (**FT₃**) და (**FT₄**) თიროქსინის რაოდენობასა და **(TSH)** რეცეპტორულ აქტივობას შორის სხვადასხვა თიროიდული პათოლოგიის დროს.
- ნაჩვენებია პირდაპირი კორელაცია TPO დონესა და **TSH** აქტივობას შორის აუტოიმუნური დაზიანების ფიბროზული და ნაკლებად, ლიმფოიდური ვარიანტების დროს. Hűrtle–ის უჯრედული აქტივობა განაპირობებს ჰიპოთირეოზის მდგომარეობას.


იმუნოჰისტოქიმიურ მარკერთა აქტივობასა და ფარისებრი ჯირკვლის სხვადასხვა პათოლოგიას შორის ურთიერთდამოკიდებულების გრაფიკული გამოსახვა.

№	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
I.1	2. ძუძუსა და მსხვილი ნაწლავის და პანკრეასის კიბოსწინა პროცესების და დისპლაზიების კვლევა იმუნოჰისტოქიმიური მეთოდებით.	მედ. მეცნ. დოქტ. თ ღვამიჩავა	მთავარი მეცნ. თანამშრ.: თ. მაჭავარიანი, ი. გაჩეჩილაძე.
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
გამოსაკვლევი მასალის ფიქსაცია წარმოებდა 10% ფორმალინის ბუფერულ			


ხსნარში (pH 7,2-7,3) 10 სთ-ის განმავლობაში, რის შემდეგაც ქსოვილის ნიმუშებს ვაყალიბებდით პარაფინში, იმუნოჰისტოქიმიური კვლევისათვის 3-4 მკმ სისქის ანათლების დეპარაფინიზაცია ტარდებოდა სტანდარტული წესით. ანტიგენის დემასკირების მიზნით ვახდენდით მის ორჯერად დამუშავებას მიკროტალღურ რეჟიმში (სიმძლავრე 650 ვტ) 20 წთ-ის განმავლობაში, გაციებისათვის ვიყენებდით ციტრატულ ბუფერს (pH - 6,0). პირველადი ანტისხეულების სახით გამოყენებულია სპეციფიკური ანტისხეულები Mouse Monoclonal Endothelial Cell Marker CD34 (clone QBEnd/10, dilatation 1:100 DAKO), ვიზუალიზაციის სისტემის სახით გამოყენებულია სისტემა- ABC Staining System (~DAB novocastra"). ბირთვები დამატებითად იღებებოდა ჰარისის (Hariss) ჰემატოქსილინის წყალხსნარით. კონტროლის სახით ვიყენებდით მწარმოებლის მიერ რეკომენდირებულ შეღებვას პირველადი ანტისხეულების გარეშე არასპეციფიური რეაქციის გამორიცხვის მიზნით.

გამოსაკვლევი მასალა- ჰისტოლოგიურად ვერიფიცირებული ადენომა მძიმე დისპლაზიით-10 შემთხვევა და ადენოკარცინომა-17 შემთხვევა. იმუნოჰისტოქიმიური კვლევით შესწავლილია ვასკულარული ზრდის ფაქტორის VEGF-ის და CD34-ის ექსპრესიის თავისებურებათა დადგენა სხვადასხვა ორგანოში დისპლაზიებისა და ავთვისებიანი სიმსივნის განვითარების დროს. რაოდენობრივი შეფასება მიმდინარეობდა ნახევრად რაოდენობრივი მეთოდით, ყოველ ანათალზე ითვლებოდა შეღებილი ენდოთელიოციტები 0 – უარყოფითი, 1< 30%; 2 - 30-60%; 3 > 60%.

მასალის იმუნოჰისტოქიმიურმა კვლევის შედეგებმა დაადგინა, რომ ადენომების და ადენოკარცინომების ენდოთელურ უჯრედებში აღინიშნება დადებითი რეაქცია VEGF-ზე და CD34-ზე (სურათი 1, 2).



სურათი 1. VEGF- ექსპრესია მსხვილი ნაწლავის ადენოკარცინომაში. X 200.



სურათი 2. CD-34 ექსპრესია მსხვილი ნაწლავის ადენოკარცინომაში. X 200.

სტატისტიკურმა კვლევამ დაადასტურა, რომ ადენომების ენდოთელურ უჯრედებში VEGF-ის ექსპრესიის ინტენსიობა განისაზღვრებოდა 1 ქულით (10-დან-3 შემთხვევაში), 2 ქულით (10-დან-5 შემთხვევაში) და 3-ქულით (10-დან-2 შემთხვევაში). ადენოკარცინომებში ენდოთელურ უჯრედებში VEGF- ექსპრესიის ინტენსიობა განისაზღვრებოდა 1-ქულით (17-დან 4 შემთხვევაში), 2-ქულით (17-დან 8 შემთხვევაში) და 3-ქულით (17-დან 5 შემთხვევაში) (იხ. ცხრილი 1)


VEGF-იმუნოექსპრესია.

VEGF--იმუნოექსპრესია	**ადენომა**	**ადენოკარცინომა**	**ნორმა**
	n= 10	n=17	n=10
0	0	0	0
1	3	4	2
2	5	8	1
3	2	5	0

CD34-ის ექსპრესიის ინტენსიობა ადენომებში განისაზღვრებოდა 1-ქულით (10-დან-3 შემთხვევაში); 2-ქულით (10-დან-6 შემთხვევაში) და 3-ქულით (10-დან-1 შემთხვევაში). CD34-ის ექსპრესიის ინტენსიობა ადენოკარცინომაში განისაზღვრებოდა 1-ქულით (17-დან 7 შემთხვევაში), 2-ქულით (17-დან 6 შემთხვევაში) და 3-ქულით (17-დან 4 შემთხვევაში) (იხ.ცხრილი 2).

ცხრილი 2. CD -34 იმუნოექსპრესია.

VEGF--იმუნოექსპრესია	**ადენომა**	**ადენოკარცინომა**	**ნორმა**
	n= 10	n=17	n=10
0	0	0	0
1	3	7	3
2	6	6	1
3	1	4	0



სურათი 3. პანკრეასის სადინროვან ეპითელიუმში Citokeratin-20–ის ძლიერი ექსპრესია, რაც მიუთითებს კარცინომატოზულ ტრანსფორმაციაზე ექსპერიმენტული დიაბეტის ფონზე. X 120.

მიკროსისხლძარღვების პოზიტიური რეაქცია VEGF-ზე (სურ.1) ვლინდებოდა ადენომატოზური ჯირკვლების გარშემო და სტრომაში, როგორც ადენომებში ასევე ადენოკარცინომებში. ყურადსაღებია, რომ CD34-ის ექსპრესია (სურ.2) საგრძნობლად მომატებულია ადენომებში ნორმასთან შედარებით. უკანასკნელი მეტყველებს ანგიოგენეზის გააქტიურებაზე ამ პათოლოგიის დროს, და გვაძლევს შესაძლებლობას ვივარაუდოთ, რომ ადენომები მძიმე დისპლაზიით წარმოადგენენ კიბოს განვითარების წინაპირობას, რაც დასტურდება VEGF-ის და CD34-ის ექსპრესიის მონაცემთა კორელაციით. ამ მიმართულებით ანგიოგენეზი და ნეოანგიოგენეზი წარმოადგენს დისპლაზიური უბნის ბიოპოტენციალის შეფასების საკვანძო რეაქციას. ადენომები მძიმე დისპლაზიით წარმოადგენენ კიბოს ობლიგატურ წინაპირობას და კიბოს განვითარების რისკ-ფაქტორს, რომლის ფონზე შესაძლებელია აღმოცენდეს მიკროკარცინომები - ინტრაეპითელური კიბოს უბნები (c-in situ). იმ შემთხვევში როდესაც აღინიშნება ამ უბნების ინვაზია კიბოს უჯრედებით, ვითარდება focal carcinoma და შემდგომში ადენოკარცინომა.

ამგვარად, მიკროსისხლძარღვთა სიმჭიდროვე და მომატებული რაოდენობა შეიძლება გამოყენებულ იქნას მძიმე დისპლაზიების დროს პათოლოგიური პროცესის ბიოპოტენციალის პროგნოზულ მარკერად. კიბოს პრევენციის ღონისძიებები ფოკუსირებულია სიმსივნისწინა პროცესების მალიგნიზაციის პოტენციალის, ლოკალური და დისტანციური მეტასტაზების შესაძლო განვითარების საკითხზე, რომელიც მოიცავს რისკ-ფაკტორების გამოვლენას, ადენომების და მიკროადენომების მონიტორინგს მათში c-r in situ და focal carcinoma-ის განვითარების თვალთახედვით. მძიმე დისპლაზიის ადენომებში აპუდოციტების არსებობა იწვევს ნაწლავის ჰორმონალური რეგულაციის აქტივაციას, რაც სავარაუდოდ, წარმოადგენს ადენომების გაავთვისებიანების ერთ-ერთ პირობას.

I	*სამეცნიერო მიმართულება - მედიცინა; ონკომორფოლოგია*	*მიხეილ ჯანგავაძე, მედიცინის დოქტორი*	**მთავარი მეცნ. თანამშრომლები:** ნ. გორდაძე,

I-2	**საქართველოში ძუძუსა და ფილტვის კიბოს მოლეკულური ეპიდემიოლოგია-მოლეკულური და მორფოლოგიური კლასიფიკაციების კორელაცია**		**უფ.მეცნ. თანამშრომლები:** ნ. გოიშვილი, მ. მჭედლიშვილი, თ. ლეკაშვილი დ. მაკარიძე **მეცნ. თანამშრომლები:** მ. ამირანიძე, ზ. ბუკია, გ. ფიჩხაია,

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები

უკანასნელი 7-8 წლის მანძილზე თსუ მორფოლოგიის ინსტიტუტში დაგროვილია ფილტვის და ძუძუს კიბოს რამოდენიმე ასეული ნიმუში (ჰისტოპათოლოგიური კვლევის შემდეგ დარჩენილი პარაფინში ჩაყალიბებული მასალა), რომლის გამოკვლევითაც შეიძლება გამოვლინდეს აღნიშნული სიმსივნეების:

• მოლეკულური ეპიდემიოლოგია;

• გენური მუტაციების როგორც ფართოდ ცნობილი, ისე სავარაუდო პროფილი;

ასევე განხორციელდეს

• მოლეკულურ-ბიოლოგიური და გენეტიკური მახასიათებლების შედარება უკვე ფართოდ მიღებულ ჰისტოლოგიურ კლასიფიკაციასა და პრედიქტორულ მარკერებთან.

ასეთი კვლევის შედეგები, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს აღნიშნული სიმსივნეების მოლეკულკური პათოლოგიის საკითხების დაზუსტებას, ხოლო მეორე მხრივ, განაპირობებს ინდივიდუალიზებული მკურნალობის სტრატეგიის შემუშავებას. ამსთანავე, თავის წვლილს შეიტანს მონაცემთა იმ საერთაშორისო ბანკის შექმნაში, რომელსაც უახლოეს მომავალში დაეფუძნება კიბოს, და მათ შორის - ფილტვის და ძუძუს კიბოს - მოლეკულურ-ბიოლოგიური და გენეტიკური კლასიფიკაციები და დიაგნოსტიკა.

პროექტის მიზანია: საქართველოს პოპულაციაში ფილტვის და ძუძუს კიბოს გენეტიკური ქვეჯგუფების გავრცელების დადგენა და ჰისტოლოგიური და მოლეკულური კლასიფიკაციების კორელაცია.

კვლევის ხანგრძლივობა 3 წელი - 2014-2016

ამ ეტაპზე დასრულებულია კვლევის შემდეგი ეტაპები:

1. საარქივო მასალის (პარაფინში ჩაყალიბებული ქსოვილის ნიმუშების, ჰისტოლოგიური პრეპარატების) რევიზია 3 პათოლოგანატომის მიერ: დიაგნოზის ვერიფიკაცია, სიმსივნის ჰისტოლოგიური ტიპის და ავთვისებიანობის ხარისხის დადგენა, იმუნოჰისტოქიმიურად რეცეპტორებისა (ER, PR) და Her2/neu სტატუსის შეფასება. (ამ ეტაპზე სულ გამოკვლეულია 106 ძუძუს და 57 ფილტვის კიბოს შემთხვევა)

2. შესწავლილი მასალიდან (პარაფინში ჩაყალიბებული სიმსივნური ქსოვილის ნიმუშებიდან) მთლიანი დნმ-ის გამოყოფა და მათი არქივაცია შემდგომი გენეტიკური კვლევებისათვის.

N	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
II II-1	***სამეცნიერო მიმართულება - მედიცინა; ჰეპატოლოგია, ტრანსპლანტოლოგია*** **რეზექციის შემდგომ დარჩენილი და გადანერგილი ნახევარი ღვიძლის რეგენერაცია ანუ რეგენერაცია დენერვაცია– დელიმფატიზაციის ფონზე. ჰეპატოციტები თუ ღეროვანი უჯრედები?**	***დიმიტრი კორძაია მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი***	**მთავარი მეცნიერ თანამშრომლები:** მ. კაკაბაძე, ნ. დიდებულიძე, ნ. ჭიჭინაძე **უფრ. მეცნ. თანამშრომლები:** ლ. მეტრეველი, მ. კორძაია **მეცნ. თანამშრომელი:** რ.ჯოჯუა
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
პროექტის კვლევის მიზანს წარმოადგენს რეზექციის შემდეგ დარჩენილი და აუტოტრანსპლანტირებული ღვიძლის ნახევრების რეგენერაციის მაკროსტრუქტურული, ქსოვილოვანი და უჯრედული მექანიზმების გამოკვლევა, რისთვისაც დასახულ იქნა შემდეგი ამოცანები: • ღვიძლის ერთი ანატომიური ნახევრის რეზექციისა და ტრანსპლანტაციის მოდელის შემუშავება; • რეზექცია-ტრანსპლანტაციიდან სხვადასხვა ვადებზე დონორში რეზექციის შემდეგ დარჩენილი და რეციპიენტში ტრანსპლანტირებული ღვიძლის ნახევრების რეგენერაციის მაკროსტრუქტურული, ქსოვილოვანი და უჯრედული მექანიზმების გამოკვლევა; • კვლევის სედეგების ანალიზი და განზოგადება. როგორც 2014 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ანგარიშში იქნა ნაჩვენები, მუშაობა მიმდინარეობდა ვირთაგვებზე და ბოცვრებზე ღვიძლის ნახევრის რეზექციისა და აუტოტრანსპლანტაციის (რეპლანტაციის) ექსპერიმენტული მოდელის შემუშავებისათვის. (ვირთაგვების მოდელს საფუძვლად დაედო პროექტის კოლაბორატორის, პროფესორ ე. მათევოსიანის (მიუნჰენის /გერმანია/ ტექნიკური უნივერსიტეტის სამედიცინო კლინიკის ტრანსპლანტაციის განყოფილების ხელმძღვანელი) მიერ მოწოდებული მეთოდიკა (Liver Transplantation in the Rat: Single-Center Experience With Technique, Long-term Survival, and Functional and Histologic Findings. Transplantation Proceedings, 2009))		

აღნიშნული მოდელის გამოყენება ვირთაგვებში სერიულ ექსპერიმენტებში აღმოჩნდა ტექნიკურად რთულად შესასრულებელი, რადგანაც მისი განხორციელება თხოულობს მიკროქირურგიული ტექნიკის გამოყენებას. ამასთანავე, მაღალი აღმოჩნდა ცხოველთა ლეტალობა (8-დან 6 ცხოველი მოკვდა ოპერაციის შემდგომ უახლეს საათებში, ხოლო თითო – ოპერაციიდან მეორე და მესამე დღეს. სამწუხაროდ, რეზეცირებული ღვიძლის სერიული აუტოტრანსპლანტაცია (რეპლანტაცია) პრობლემური აღმოჩნდა დიდი ზომის ცხოველებისათვისაც – ჩვენს მიერ 2014 წელს შემუშავებული მეთოდიკის გათვალისწინებით.

2015 წელს ამ მოდელით ბოცვრებზე ჩატარებული სერიული ოპერაციების (15 ოპერაცია) შემდეგ ლეტალობა აღმოჩნდა მაინც მაღალი (15 ცხოველიდან 10 მოკვდა ოპერაციის დამთავრებიდან რამოდენიმე საათში, 2 - მეორე დღეს, 2 – მესამე დღეს და მხოლოდ ერთმა იცოცხლა 6 დღე). ლეტალობის ძირითადი მიზეზი იყო ქვემო ღრუ ვენის ინფრაჰეპატურ (ინფრარენალურ) ნაწილში კრანიალური მიმართულებით შეყვანილ პოლიეთილენის კათეტერში თრომბების წარმოქმნა ან ამ კათეტერით სისხლძარღვების დაზიანება. ამის გამო, გადაწყდა, რომ 2016 წელს კვლავ გავაგრძელოთ პროფესორ ე. მათევოსიანის მიერ მოწოდებული მეთოდიკის ათვისება უკვე ახლადშეძენილი მიკროქირურგიული მიკროსკოპისა და ინსტრუმენტების ნაკრების გამოყენებით (შესყიდვა განხორციელდა 2015 წელს, ინსტიტუტის ბიუჯეტით)

ამასთანავე, წინასწარი გეგმის შესაბამისად, 2015 წელს მოვახდინეთ ღვიძლის მილოვანი სტრუქტურების კოროზიული პრეპარატების მეთოდით გამოკვლევის შემუშავება-დახვეწა. ჩვენს მიერ ადრე მოწოდებული მეთოდის (Kordzaia, D. D. Structure of the excretory ducts, intraorganic lymphatic vessels, tissue canals and intercellular space of various organs (data of scanning electron microscopy injection replicas. Arkhiv anatomii, gistologii i embriologii, 1989) საფუძველზე..

შევიმუშავეთ კოროზიული პრეპარატების დამზადების ორი მეთოდი:


- თვითგამყარებადი პლასტმასის "პროტოკრილ M" –ის გამოყენებით და
- ლატექსის – კონცენტრირებული "GENC Premium"-ის გამოყენებით.

ვირთაგვებს ვაძინებდით ეთერის ნარკოზით; ვხსნიდით მუცლის ღრუსა და გულმკერდის ღრუს, კათეტერი შეგვყავდა კარის ვენაში, ნაღვლის სადინარსა და გულმკერდის აორტაში და მათ ვაფიქსირებდით ლიგატურებით. ამის შემდეგ ვხსნიდით ბარძაყის ვენას და ვაწარმოებდით ღვიძლის გამორეცხვას ფიზიოლოგიური ხსნარით დამზადებული "კოკტეილით", რომელიც შეიცავდა ატროპინს, ნოშპასა და 2%-იან ნოვოკაინს. ორგანოთა გამორეცხვის (გაფერმკრთალების) შემდეგ სისხლის კალაპოტს ვრეცხვდით 4%-იანი ფორმალინის ხსნარით. ამის შემდეგ ხდებოდა თვითგამყარებადი პლასტმასის - "პროტოკრილ M"-ის ("პროტოკრილ M" – ის ფხვნილის 3 კუბ. ერთეული გახსნილი "პროტოკრილ M" –ის 7.5 კუბ ერთეულის ხსნარში (1: 2,5)) ან ლატექსის შეყვანა. სხვადასხვა სისხლძარღვში და სადინარში შეყვანილი "პროტოკრილ M"-იცა და ლატექსიც შეღებილი იყო სხვადასხვა ფერად. "პროტოკრილ M"-ის შეყვანის შემდეგ ვირთაგვას ვტოვებდით ოთახის ტემპერატურაზე 30 წთ-ის განმავლობაში, ინიეცირებული პლასტიკური მასის


გამყარებამდე. ამის შემდეგ ღვიძლს ამოვკვეთდით და ვათავსებდით 20%-იან NaOH –ის ხსნარში - ღვიძლის ქსოვილის სრულ დაშლამდე. შემდეგ პლასტმასის ტვიფრები ირეცხებოდა გამოხდილი წყლით და ხდებოდა მათი გაშრობა ოთახის ტემპერატურაზე., ლატექსის გამოყენების შემთხვევაში, ამოკვეთილი ღვიძლი თავსდებოდა კონცენტრიტებული გოგირდმჟავას ხსნარში, რაც იწვევდა ქსოვილის სრულ დაშლას და ლატექსის პოლიმერიზაციას/კოაგულაციას. ქსოვილის კოროზიის შემდეგ დარჩენილ ტვიფრებს ვრეცხავდით გამდინარე წყლით.


ცდების ნაწილში, ვახდენდით სისხლძარღვთა ინიექციას თვითგამყარებადი პლასტმასის ხსნარით, ხოლო სადინარებისას – ლატექსით. ასეთ შემთხვევებში ამოკვეთილ ღვიძლს 15 წუთით ვათავსებდით კონცენტირებული მჟავის ხსნარში (რათა მომხდარიყო ლატექსის პოლიმერიზაცია/კოაგულაცია), ხოლო შემდეგ გადაგვქონდა 20 %-იან ტუტეში. ქსოვილის კოროზიის შემდეგ დარჩენილ ტვიფრებს ვრეცხავდით გამდინარე წყლით.

მიღებულ ტვიფრებს ვსწავლობდით ბინოკულერულ მიკროსკოპში და დიგიტალური ოპტიკური ხელსაწყოს (proscope HR- GSI level 2 kit) გამოყენებით. სხვადასხვა გადიდებით მიღებულ პრეპარატის დიგიტალურ გამოსახულებებს ვინახავდით ფორმატში. ვახდენდით მიღებულ გამოსახულებათა აღწერას და გაზომვებს (სტერეო- და მორფომეტრია).



საანგარიშო პერიოდში დამუშავდა ვირთაგვებში ღვიძლის რეზექციის მეთოდი, მოწოდებული Mitchell da Willenbring –ის მიერ (Nature Protocols, 2008, 3:1167-1170), რომლითაც ხორციელდება ღვიძლის 70%-ის რეზექცია “ორი კვანძით” (იხ. თანდართული სქემატური სურათი). ამ მეთოდით ნაოპერაციებ ცხოველთა 80% ცოცხალი გადარჩა ოპერაციიდაბ მე-7 დღისათვის, ანუ იმ ვადაზე, რომელზეც ძირითადად დასრულებულია რეზექციისშემდგომი ღვიძლის რეგენერაციის სტრუქტურული გარდაქმნები.





ამდენად, შემუშავებული მეთოდი მიჩნეულ იქნა ვარგისად სერიული ექსპერიმენტებისათვის, რომლებიც დაგეგმილია 2016 წელს.

N	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
II II-2	***სამეცნიერო მიმართულება - მედიცინა; ჰეპატოლოგია, ტრანსპლანტოლოგია*** ***ორგანოთა კონსერვაციის ახალი მეთოდის შემუშავება***	***ნოდარ ხოდელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი***	**მთავარი მეცნიერ თანამშრომელი:** ზ. ჩხაიძე, მ. წილოსანი. **მეცნ. თანამშრომლები:** ი. კირვალიძე, ი. სიხარულიძე, ს. გვიდანი, ვ. ლობჯანიძე, მ. ჯიბლაძე

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები

პროექტი ითვალისწინებს ლაბორატორიულ ცხოველებზე შემუშავებული საპერფუზიო სისტემის გამოყენებით ორგანოთა კონსერვაციისა და ტრანსპლანტაციის მოდელების შემუშავებას და არსებულ თავისებურებათა შედარებით კვლევას. ეს პრაქტიკულად წარმოადგენს შედარებით კვლევას ორგანოთა კონსერვაციის დღეისათვის არსებულ მეთოდებს შორის (ორგანოს შენახვა სპეციალურ, დაბალი ტემპერატურის ხსნარებში მოთავსებით, ან ორგანოს სისხლძარღვებში ცირკულაციის შენარჩუნებითა როგორც იზოლირებულ, ისე თვით ორგანიზმში არსებულ ორგანოზე.

2015 წელს დაგეგმილი იყო შემუშავებული საპერფუზიო სისტემის სასტენდო გამოცდა და ექსპერიმენტული აპრობაცია მცირე ზომის ცხოველებზე (ბოცვერი).

ჩატარებული სამუშაოების შედაგად გამოვლინდა, რომ საპერფუზიო სისტემის კონსტრუქციული თავისებურებები უზრუნველყოფს ისეთ ჰემოდინამიკურ მახასიათებლებს (სისხლის წნევა, დროის ერთეულში გადადენილი სისხლის

მოცულობა, წარმადობა, პულსაციის სიხშირე და სხვ.), რომლებიც ეფუძნება გულისა და მაგისტრალური სისხლძარღვების ფუნქციონირების ძირითად ფიზიოლოგიურ პრინციპებს, და უზრუნველყოფს ქსოვილოვანი, მიკროცირკულატორული სისხლმიმოქცევისათვის დამახასიათებელ აუცილებელ, ნატიფ მოთხოვნებს. მისი მარტივი მართვის სისტემა საცდელი ცხოველის სისხლძარღვთა სისტემაში უზრუნველყოფს სისხლის როგორც მოპულსირე (ფიზიოლოგიური არტერიული სისხლნაკადის იმიტაცია – ვერცხლისწყლის სვეტის 120/80 მმ), ასევე უწყვეტ, არაპულსურ ნაკადს (ფიზიოლოგიური ვენური სისხლნაკადის იმიტაცია – ვერცხლისწყლის სვეტის 1–15 მმ ფარგლებში), კონკრეტული ექსპერიმენტული მოთხოვნების შესაბამისად. ასეთი სისტემის გამოყენებით შესაძლებელია წარმადობის რეგულირება როგორც პულსაციის სიხშირით, ისე თითოეული ციკლის მოცულობით - წნევის რეგულირების ხარჯზე. ამრიგად, შემუშავებული საპერფუზიო სისტემის მიერ უზრუნველყოფილი, ფიზიოლოგიურთან მაქსიმალურად მიახლოებული სისხლნაკადი საშუალებას იძლევა როგორც რეციპიენტის ორგანიზმის, ისე გადასანერგი ორგანოს ჰემოდინამიკური მაჩვენებლების შენარჩუნებას ფიზიოლოგიური ნორმის ფარგლებში ხანგრძლივი (10-12 საათი) კონსერვაციის პირობებში.

შექმნილია სასტენდო გამოცდებისა და ექსპერიმენტების პროტოკოლები.

N	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
III	***სამეცნიერო მიმართულება - გერონტოლოგია, პალიატიური მედიცინა*** ***დემოგრაფიული დაბერების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში და მათი გადაწყვეტის გზების ძიება***	***სიმონ დალაქიშვილი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი***	**მთავარი მეცნიერ თანამშრომლები:** ნ. ბაკურაძე ნ. სალამატინა, **უფრ. მეცნ. თანამშრომლები:** ი. ხახუტაიშვილი მ. ერემაშვილი მ. ღუღუნიშვილი **მეცნ. თანამშრომლებიი:** თ. ასათიანი, ე. ჯანბერიძე, ნ. წიქორიძე, რ. ლორთქიფანიძე, ვ. ლალებაშვილი
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			

XXI საუკუნის ერთერთ დამახასიათებელ სოციალურ ეკონომიკურ პრობლემას მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების გლობალური პროცესი წარმოადგენს. მოსახლეობის საერთო რაოდენობაში მკვეთრად მატულობს 60 წლისა და მეტი ასაკის ადამიანთა, როგორც აბსოლუტური, ასევე შეფარდებითი წილი. პროცესი უპრეცედენტოა და არ მოეძებნება ანალოგი კაცობრიობის განვითარების ისტორიაში.

ამჟამად, ხანდაზმული ასაკის მოსახლეობის საერთო რაოდენობა მსოფლიოში თითქმის მილიარდია და მეცნიერთა გამოთვლებით 2050 წელს 2 მილიარდს მიაღწევს, მათ შორის 80 წლისა და მეტი ასაკის პირთა რიცხვი 5-ჯერ გაიზრდება. ამ პროგნოზით 2050 წლისათვის განვითარებულ ქვეყნებში ხანდაზმულთა ხვედრითი წილი მთლიან მოსახლეობაში 30% გადააჭარბებს, ხოლო განვითარებად ქვეყნებში 20%-ს მიაღწევს.

აღნიშნულთან დაკავშირებით 1999 წელს გაერთიანებული ერების გენერალურმა ანსამბლეამ ქვეყნების აღმასრულებელ ხელისუფლებას მოუწოდა: ”ეროვნული ინტერესების შესაბამისად განახორციელონ ისეთი პოლიტიკა, რომ პიროვნება სიბერეში იყოს სოციალურად დაცული და ეკონომიკურად დამოუკიდებელი”.

საქართველოს სახელმწიფოს განვითარების დღევანდელ ეტაპზე, როდესაც კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგით ქვეყნის ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიმართულებით, ხელი მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, მწვავედ დადგა თანამედროვე გერიატრიული მომსახურებისა და სოციალური უზრუნველყოფის ქმედითი პოლიტიკის შემუშავება და შესაბამისი რეფორმების გატარების აუცილებლობა მსოფლიო სტანდარტების გათვალისწინებით. ეს დააკმაყოფილებს ევროსტუქტურებში ინტეგრაციისთვის არსებულ მოთხოვნებს და მეორეს მხრივ ხელს შეუწყობს საქართველოს ასაკოვანი მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების და საპენსიო უზრუნველყოფის სრულყოფილი სისტემის ჩამოყალიბებას.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანის ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში შექმნილია და ფუნქციონირებს გერიატრიული სამსახურები, რომელიც ითვალისწინებს უფროსი ასაკის პირებში დაავადებათა პრევენციას და მკურნალობის სწორად წარმართვას.

ჩვენი აზრით უფროსი ასაკის მოსახლეობის სრულყოფილი სამკურნალო და სოციალური სამსახურის სისტემის შექმნის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, არამხოლოდ სტაციონარულ მომსახურებას, არამედ ხანდაზმულთა სამედიცინო-სოციალური მომსახურებით უზრუნველყოფას ბინაზე. აღნიშნული განპირობებულია ორი ძირითადი მიზეზით, პირველი - ამ კონტიგენტის მზარდი მოთხოვნა ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ მომსახურებაზე და მეორე – ხანდაზმულ პაციენტთა უმეტესობას სურს დარჩეს ოჯახში, ახლობლებთან, იმ გარემოში სადაც ისინი ცხოვრობენ. სწორედ ბინის პირობებში სჭირდებათ მათ ორიენტირებული სამედიცინო-სოციალური მოსახურება. ამდენად, განსაკუთრებით წარმოჩინდება ადგილზე სტაციონარული მომსახურების შექმნის აუცილებლობა, რომელშიც აქტიურად უნდა იქნას ჩართული ოჯახის ექიმი, სოციალური მუშაკი და სხვადასხვა პროფილის ექიმი გერიატრები (თერაპევტი, ოფთალმოლოგი, ქირურგი, ნევროლოგი, ენდოკრინოლოგი და ა.შ).

ამრიგად, გერიატრიული სტაციონარის არსებობის პარალელურად აქტიურად უნდა ფუნქციონირებდეს პოლიკლინიკური და ბინაზე სტაციონარული მომსახურების სისტემა.

გერონტოლოგიისა და პალიატიური მედიციცინის განყოფილებაში წარმოდგენილი სამუშაოს მიზანს შეადგენდა ხანდაზმული ასაკის მოსახლეობის სტაციონალური, ამბულატორიული და ბინაზე სამედიცინო მომსახურების სისტემის მეთოდური უზრუნველყოფა. ამიტომ განვიზრახეთ სრულყოფილად შეგვესწავლა ხანდაზმულთა პრობლემები, რისთვისაც ეროვნული სტატისტიკური ცენტრიდან და სასწრაფო დამედიცინო სამსახურის სტატისტიკის განყოფილებიდან დამატებით მოვიძიეთ შესაბამისი მასალები (აღნიშნულ სამსახურებს უღრმეს მადლობას მოვახსენებთ ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის).

რადგან ხანდაზმულთა უმეტესობა ქრონიკულად დაავადებული ადამიანია და ამასთან მათ არა ერთი დაავადება აწუხებთ, მიზნად დავისახეთ გაგვერკვია ქ. თბილისში სასწრაფო გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გამოძახებებში რა ადგილი უჭირავთ ხანდაზმულებს, როგორაა დაკომპლექტებული სამედიცინო ბრიგადა, რა ტიპის დახმარება გაეწევათ მათ და მიღებული შედეგები შეგვედარებინა ბიბლიოგრაფულ მასალასთან.

სასწრაფო დამედიცინო სამსახურის სტატისტიკის განყოფილებიდან მიღებული შედეგების საფუძველზე მომზადებულია და მალე გამოქვეყნდება სტატია - ქ. თბილისში ხანდაზმულთა სასწრაფო სამედიცინო მომსახურების ანალიზი.

მიღებული შედეგების გათვალისწინებით, ჩავთვალეთ საჭიროდ შეგვესწავლა და გაგვეანალიზებინა ქ. თბილისის ხვადასხვა ასაკის ადამიანთა დამოკიდებულება ხანდაზმულთა პრობლებლემებთან დაკავშირებით, რისთვისაც შევადგინეთ სპეციალური კითხვარი და ჩავატარეთ გამოკითხვა მოსახლეობაში. მასალა დამუშავების პროცესშია და მზადდება სტატიისათვის.

ასევე, ეროვნული სტატისტიკური ცენტრიდან მოპოვებული მასალა ამჟამად დამუშავების პროცესშია.

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ხელოვნური სისხლმიმოქცევის პორტატული აპარატის ექსპერიმენტული შემუშავება საველე პირობებში გამოყენებისთვის	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ზურაბ ჩხაიძე	ნოდარ ხოდელი მაია მუმლაძე ჯუმბერ ფარცახაშვილი ოთარ ფილიშვილი ოთარ შენგელია რამაზ მაჭავარიანი

დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)
შეიქმნა საველე პირობებთან ადაპტირებული ხელოვნური სისხლმიმოქცევის პორტატული, მოპულსირე ნაკადით მომუშავე აპარატი. განხორციელდა პროექტის ორი ძირითადი შემსრულებლის მივლინება ალმა-ატაში (ყაზახეთი) საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში მონაწილეობისათვის. შეირჩა და კუსტარულად დამზადდა მაგისტრალურ (ბარძაყის და კისრის) სისხლძარღვებში შესაყვანი სპეციალური (საველე პირობების გათვალისწინებით) კონსტრუქციის არტერიული და ვენური კანულები. მათი გამოყენებით ჩატარდა ექსპერიმენტები ჰემოდინამიკური პარამეტრების, ბიოქიმიური მაჩვენებლების, სისხლსა და პერიფერიულ ქსოვილებში მჟავა-ტუტოვანი წონასწორობისა და აირთა (PO2, pCO2) შემცველობის შესწავლით. ჩატარებული სამუშაოების შედეგად მეცნიერულად დადასტურდა მოპულსირე პერფუზიის უპირატესობანი ტრადიციულთან შედარებით. გამოვლინდა შემუშავებული ხსპა–ს ფუნქციური მახასიათებლების იდენტურობა სტაციონარულთან. დადასტურდა აღნიშნული აპარატის დამზადების დაბალი ღირებულება, მართვის სიმატრივე, პორტატულობა და მობილურობა. ჩატარდა საუნივერსიტეტო სამეცნიერო–პრაქტიკული სემინარი "საპერფუზიო სისტემების გამოყენების პერსპექტივები თანამედროვე მედიცინაში". საქპატენტში გაფორმდა განაცხადი გამოგონებაზე.

II. 1. პუბლიკაციები:
ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1 2 3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ზურაბ ჩხაიძე, ნოდარ ხოდელი, ოთარ შენგელია	"ხელოვნური სისხლმიმოქცევის აპარატი" (პატენტი). სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენი	2015, №21(433)	თბილისი	10
2	G.Lobzhanidze, E. Natevossian, D. Kordzaia. Z. Chkhaidze, N.Khodeli, J.Partsakhashvili. Z. Khachiperadze, D. Doll	"Abdominal organ donation: surgical aspects and recommended practice guidelines for controlled donation of brain-dead donor." Georgian Med News	2015, vol. 239	Tbilisi	9
3	Гвамичава Т. А., Мачавариани Т. Г., Гачечиладзе И. А., Гогиашвили Л.Е.	"Морфологическая характеристика диспластических изменений в аденомах толстого кишечника**."** Georgian Med News	2015, №5	Tbilisi	6
4	Saladze T. Gogiashvili L. Tsagareli Z. Bakhutashvili Z. Kavtaradze T.	"Histological and imunnohistocemical studies of atherosclerotic and senile calcific aortic valve stenosis." Georgian Med News	2015, №7-8	Tbilisi	6
5	S.Gvidani, Ts. Sumbadze , I. Sicharulidze ,M. Amiranidze ,E.	"Influence of phenol vapor intoxsication on cyklic nukleotides and prostaglandins ratios" 3 Internacional conference on	2015	Tbilisi	2

6	Melikadze მ. ამირანიძე, ც. სუმბაძე, ი. სიხარულიძე, ს. გვიდანი, ს. მარქარიანი.	Pharmaceutical sciences., abstract book “ელენთის მორფოლოგიური შეფასება ულტრასტრუქტურულ დონეზე ორგანოშემნახველი ოპერაციის შემდეგ” Georgian Med News	2015 N12	Tbilisi	4

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. ხელოვნური სისხლმიმოქცევის აპარატში გამოყენებულია ტუმბო, რომელიც შედგება ორი რეზერვუარისგან, მათთან შტუცერებით დაკავშირებული სისხლგამტარი, აირგამტარი და ვაკუუმის მილსადენებისაგან, რომლებიც აღჭურვილია გარეგანი ჩამკეტებით. გარეგანი ჩამკეტები გაერთიანებულია ბლოკში. თითოეული რეზერვუარი წარმოადგენს როგორც ვენური სისხლის მიმღებ, ისე დამჭირხნ საკანს. გამომშვები საერთო სისხლგამტარი მილი აღჭურვილია პულსატორით, ხოლო ვაკუუმის მილსადენები განკუთვნილია რეზერვუარებში უარყოფითი წნევის შესაქმნელად.

2. სტატია ეხება ტვინის სიკვდილის შემდეგ დონორული ორდანოების ქირურგიულ ასპექტებს. მოწოდებულია რეკომენდაციები, რომლებიც მისაღებია გარკვეულ გარემოებებში, თუმცა აუცილებელია ექიმის მიერ ეთიკური ნორმების გათვალისწინება.

The shortage of organ donors along with the increased number of waiting recipients have created the need for new strategies to expand the organ pool from donations after brain death. Organ procurement from brain-dead deceased donors is a complex task. Multiple, complicated operations are performed simultaneously. Very often, this involves numerous physicians and transplant coordinators. An extensive coordination between the thoracic and abdominal surgical teams is crucial for the successful procurement of all suitable organs. The quality of donor organs and the successful recovery therefore depends on a good communication. Organ procurement for transplantation should generally be performed in a calm and dignified atmosphere. The last wishes of the organ donor itself or the relatives must be respected unconditionally. In general, a dignified and respectful treatment of the organ donor is a condition sine qua non for each person involved in the process of organ procurement. The purpose of this article was to focus on the surgical aspects of organ donation after brain death. The proposed recommendations, in cases where they are applicable, are acceptable, however, one should never forget the importance of the ethical side of the issue with respect to the doctor-donating side relationship.

3. მძიმე დისპლაზიის მქონე ადენომებში შესწავლილია ციტო-დიფერენციაციის ხარისხისა და სისხლძარღვოვანი ქსელს და კაპილარების ენდოთელიციტების როლი ინტრაეპითელური ნეოპლაზიის განვითარებაში. განხილულია მიკროადენომების მნიშვნელობა, როგორც მალიგნიზაციის პროცესის საწყისი ეტაპი.

4. ოპერაციულ მასალაზე განხილულია ათეროგენული და სენილური კალცინოზის განმასხვავებელი იმუნოჰისტოქიმიური მაჩვენებლები. დადგენილია, დინამიკური პროგრესირებადი ანთება და ანგიოგენეზის პოტენციალის არსებობა

სენილური დაზიანების დროს.

5. ჩვენს ექსპერიმენტში შესწავლილი იქნა ციკლური ნუკლეოტიდებისა და ზოგიერთი ჯგუფის პროსტაგლანდინების ურთიერკავშირი და მათი ცვლილების დინამიკა ფენოლის ორთქლით ინტოქსიკაციის დროს. ექსპერიმენტების შედეგებმა გვიჩვენეს, რომ ფენოლის ორთქლით ინჰალაციის შედეგად ციკლური ნუკლეოტიდების აქტივაცია პირდაპირპროპორციულია იმ ჰორმონების სეკრეციისა, რომელთა მეორად მესენჯერებსაც ისინი წარმოადგენენ. კერძოდ, c-AMF-ის მაღალი კონცენტრაციები ცხოველთა I ჯგუფში განპირობებულია PgA-სა და PgE-ს მაღალი დონით. ასევე, c-AMF-ის შედარებით დაბალი კონცენტრაციები განპირობებულია PgF2α-ის სეკრეციის დაბალი ხარისხით. შესაბამისად, ცხოველთა II ჯგუფში ორგანიზმი გადადის დამცავ რეჟიმზე და პროსტაგლანდინების სეკრეცია მცირდება, რაც განაპირობებს ციკლური ნუკლეოტიდების დაბალ კონცენტრაციებს.

6. გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ორგანოშემნახველი ოპერაციის შემდეგ მიკროცირკულაციის დარღვევის ფონზე ელენთის დარჩენილ ნაწილში აღინიშნება მისი მასისა და კაფსულის სისქის შედარებითი მომატება, გამოვლენილია ფაგოციტოზის უნარის მქონე რეტიკულური უჯრედები მრავალრიცხოვანი ლიზოსომის მსგავსი სხეულაკებით , ოსმიოფილური ჩანართებით, ფაგოსომებით და აგრეთვე პლაზმური უჯრედები, რომლებიც მჭიდრო კავშირში იმყოფებიან აქტიურ ფორმიან სისხლის ელემენტებთან.მიღებული შედეგები ადასტურებს არა მხოლოდ ელენთის უჯრედების ფუნქციურ აქტივობას, არამედ მოწმობს ადგილობრივი იმუნური რეაქციის გააქტიურებას ორგანოს დარჩენილ ნაწილში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ დარჩენილ ელენთაში აღინიშნება დამცველობითი ფუნქციის გააქტიურება რაც სავარაუდოდ მიმართულია ჰომეოსტაზის აღსადგენად. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ორგანოშემნახველი ოპერაცია გამოირჩევა უპირატესობით სხვა მეთოდებთან შედარებით.

II. 2. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Н. Гордадзе М. Какабадзе Н. Дидебулидзе	Рак молочной железы в Грузии	LAP LAMBERT ACADEMIC PUBLISHING, Saarbrucken, Deutshland. info@lap-publishing.com	92

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. კვლევა შეეხება ძუძუს კიბოს განვითარების ეგზოგენური და ენდოგენური ფაქტორების განსაზღვრას და ამ სიმსივნის პროგნოზური მოდელის შექმნას ინდივიდუალური რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით. ნაჩვენებია, რომ ძუძუს კიბოს განვითარების მაღალი რისკის მქონე ჯგუფების ფორმირებისათვის გასათვალისწინებელია მედიცო-დემოგრაფიული ფაქტორები, როგორიცაა ასაკი,

ორგანიზმის ენდოკრინულ-მეტაბოლური ცვლილებები, მემკვიდრეობის ფაქტორი, ოჯახური მდგომარეობა, მენსტრუალური და რეპროდუქციული ფუნქცია, ფონური დაავადებები და სხვ.

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ-ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Н. Ходели	“Экспериментальная разработка нового насоса крови для систем искусственного кровообращения”. Materials of VI Congress South-east European Medical Forum (PSEMF)	2015	Одесса (Украина)	2
2	З.А. Чхаидзе, Н.Г. Ходели, Д.Д. Парцахашвили, О.Д.	“Приобщение студентов-медиков бакалавриата к элементам экспериментальной	2015, №2	Алматы	4

	Пилишвили	хирургии." Вестник КазНМУ.			
3	D. Kordzaia, D. Makaridze, M. Kakabadze, M. Kordzaia	"CBDL induces the proliferation of those hepatocytes which revealed the features of biliary transdifferentiation: testing the hypothesis." Materials of VI Congress South-east European Medical Forum (PSEMF)	2015	Odessa, Ukraine	2
4	D. Makaridze, M. Kordzaia, M. Kakabadze, D. Kordzaia.	"Pre- and para-proliferative features of ductular reaction following biliary obstruction." Anatomy – Special Issue includes abstracts for the XXIV International Symposium on Morphological Sciences	vol.9/suppl.2/2015 Abstracts S103, O-30	Istanbul, Turkey	1
5	Н. Дидебулидзе, М. Какабадзе, Н. Гордадзе, И. Лацабидзе, М. Кордзая, И. Сихарулидзе	"Коррекция гормонально–метаболических нарушений у самцов крыс с развивающимся экспериментальным диабетом." Бюллетень экспериментальной патологии и медицины	том 159, №1	Москва, Россия	5
6	Rurua N., Gogiashvili l., Tsagareli Z.	"Immunochemical investigation of angiogenesis activity in the thyroid gland under Hashimoto's	2015, 4, N 2,	USA	7

		thyroiditis versus Diffuse Toxic Goiter.” J. Basic @ Clinical Medicine.			3
7	Kakauridze N. Gogiashvili l., Tsagareli Z.	“Blood-formed elements under cholesterol load”. Intern. medizinischer Kongress, Meeting Atheroscl. Soc., 2015. Abstr.	2015. Abstr. N 510. Atherosclerosis,	Amsterdam	
8	Gogiashvili l., Tsagareli Z.	“The pathology and morphology of lesion in mice brain cortex under influenza virus A (H3N1) infection.” 0:1–9 Doi: 10.1136/bmjspcare-2014-000722	2015, 0:1–9 Doi: 10.1136/bmjspcare-2014-000722.	Hannover	
9	Janberidze E, Pereira SM, Hjermstad MJ, Knudsen AK, Kaasa S, van der Heide A, Onwuteaka-Philipsen B	“Depressive symptoms in cancer patients’ last days of life: a nation-wide retrospective mortality study.” BMJ Supportive and Palliative Care			
10	Makharoblidze, E., Goishvili, N., Mchedlishvili, M., Jangavadze, M.	“Primary Kaposi’s sarcoma of the heart in non-immunodeficient patient: case report and literature review.” Diagnostic pathology	2015. 10(1)	USA BioMedCentral	6

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. პუბლიკაციაში ნაჩვენებია ავტორთა მიერ შექმნილი ექსტრაკორპორალური სისხლის მიმოქცევის ორიგინალური ტუმბოს ის უპირატესობანი სხვა ანალოგიურ ტუმბოებთან შედარებით, რომლებიც გამოვლენილია 2004 წლიდან (როდესაც დაიწყო მისი გამოცდა ექსპერიმენტებში) 2014 წლამდე (პერმანენტულად ხდებოდა ტუმბოს კოსტრუქციისა და მისი პარამეტრების გაუმჯობესება) პერიოდში.

Из огромного множества насосов крови, апробированных на протяжение всей второй половины прошлого века на животных и человеке, сегодня в клинике используются лишь некоторые из них. Это роликовый, центрифужный, аксиальный насосы, а также искусственный желудочек сердца. Причем, выбор конкретной конструкции насоса, зависит от сферы и цели его применения. Из неимплантируемых,

экстракорпоральных насосов в клинике наиболее популярными являются роликовый и центрифужный насосы, которые согласно последней американской классификации устройств вспомогательного кровообращения относятся к насосам непрерывного тока и вращающимся в потоке.

С накоплением опыта экспериментального и клинического применения насосов все чаще появляются публикации с глубоким анализом конструктивных недостатков насосов, положительных и отрицательных результатов проводимых ими перфузий. Несмотря на многолетнее их совершенствование насосам в той или иной степени присущи осложнения. Из них следует отметить травму крови, гемолиз и тромбоэмболии. Кроме того нефизиологичный, непульсирующий поток нередко может сопровождаться централизацией кровообращения, различными нарушениями гомеостаза и нормальной физиологии магистральных артериальных сосудов, что постоянно требует мониторинга и соответствующей коррекции. Эти осложнения связаны с конструктивными особенностями насосов и поэтому трудно преодолимы.

Наша группа представляет вашему вниманию новый экстракорпоральный насос крови предназначенный для многоцелевого использования, который мы разрабатываем с 2004 года, совершенствуя его конструктивно и испытывая в экспериментах. Это экстраракорпоральный двухкамерный насос, в котором каждая камера поочередно выполняет функцию резервуара накопления и насоса нагнетания. Конструктивно насос довольно прост.

Отличительные конструктивные особенности насоса:1. в конструкции предусмотрен сетовый принцип сборки насоса, когда контактирующие с кровью детали являются одноразовыми комплектующими частями, а блок перекрывателей и пульсатор входящие в состав консоля управления – многоразовыми; 2.в конструкции отсутствуют контактирующие с кровью любые детали кроме стенок камеры; 3. одна камера заполняется независимо от второй нагнетающей, а характер нагнетания (параметры) не зависит от характера заполнения; 4.при объеме камеры 500 мл производительность насоса достигает 8 л/мин; 5. на выходе насоса можно формировать как непрерывный ток крови, так и пульсирующий поток по форме кривой максимально приближенный к кривой выброса левого желудочка сердца. Основными конструктивными особенностями нового двухкамерного насоса можно считать его универсальность, отсутствие зависимости характера нагнетания от характера заполнения, приспасабливаемость к характеру притекающей жидкости и возможность формирования требуемого характера изгнания жидкости.

Основными гемодинамическими преимуществами насоса являются приспасабливаемость к притоку венозной крови как из камер сердца, так и из периферических вен; управляемый непрерывный или пульсовой поток и отсутствие травмы клеток крови. Указанные преимущества позволяют использовать его как основной насос в системах сердечно-легочного обхода, в экстракорпоральных системах вспомогательного кровообращения и в аппаратах для перфузионной консервации органов

и успешно конкурировать с существующими конструкциями.

2. ნაშრომში ნაჩვენებია სტუდენტებში სწავლის მოტივაციის სტიმულირებისა და ქირურგიულ უნარ-ჩვევების განვითარებისათვის შემუშავებული ახალი მეთოდები და ფორმები, რომლებიც ადაპტირებულია იმ სოციალურ-ეკონომიკურ რელობასთან, რომელშიც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი.

მოწოდებულ ქირურგიული ტრენინგის მოდელში მონაწილეობდა II-VI კურსების 30 სტუდენტი. ტრენინგი საშუალებას იძლევა ბაკალავრიატის დასრულებისას სტუდენტს უკვე ჰქონდეს მაღალი ტექნიკა ქირურგიული მანიპულაციებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განსახორციელებლად.

С целью адаптации учебного процесса с современными условиями социально-экономической реальности изысканы новые методы и формы стимулирования мотивации у студентов для интенсификации обучения и совершенствования хирургических навыков.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური,	ჟურნალის დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლ.ეპრიკაშვილი, ვ.ციციშვილი, მ.ზაუტაშვილი, თ.კორძახია, მ.ძაგანია, ნ.ფირცხალავა	უნიადაგო სუბსტრატის გავლენა ლობიოსა და ქერის აღმოცენების ბიომეტრულ მაჩვენებლებზე	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე 2015, ტ.9, №1	თბილისი	გვ. 139-144
	ანოტაცია				
	მურა ნახშირისა და ბუნებრივი ცეოლითის (კლინოპტილოლიტის) საფუძველზე მომზადებული და ლაბორატორიულ პირობებში შემოწმებულია ახალი ეფექტური სუბსტრატის გავლენა ლობიოსა და ქერის აღმოცენების ბიომეტრულ მაჩვენებლებზე. პირველ ვარიანტში – ეტალონის სახით გამოყენებული იყო ნიადაგი (შედარების ობიექტი). მეორე ვარიანტში სუბსტრატი მომზადდა შემდეგი დაქუცმაცებული (მარცვლოვნობა <1მმ) კომპონენტებისაგან: 50% ცეოლითი და 50% ნიადაგი. მესამე ძირითადი ვარიანტი მეორე ვარიანტის მსგავსია, მხოლოდ ნიადაგის ნაცვლად გამოყენებული იყო 50% მურა ნახშირი. განსაზღვრული იყო შემდეგი ბიომეტრული მაჩვენებლები : აღმოცენების ენერგია (აე); აღმოცენების ენერგიის ფარდობითი სიდიდე (აეფს); აღმოცენების უნარი (აუ); თესლის აღმოცენების ფარდობითი სიდიდე (თაფს),			

	აგრეთვე ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა: აღმოცენების სიმაღლე (ას), აღმონაცენის სიმაღლის ფარდობითი სიდიდე (ასფს), აღმოცენების სიჩქარე (ას) და თესლთა აღმოცენების ერთობლიობა (თაე). მონაცემთა ანალიზი ამტკიცებს, რომ ნიადაგში ცეოლითის შეტანა შესამჩნევ გავლენას ახდენს გათვლილ მაჩვენებლებზე, კერძოდ მათი მნიშვნელობები 2%-ზე მეტად იზრდება. იმ ნიმუშებში, რომელთა შემადგენლობაში შედის ცეოლითი და მურა ნახშირი, ეს მაჩვენებლები კიდევ უფრო მაღალია. სუბსტრატებზე მათი ცვლილება შემდეგი თანმიმდევრობით მიმდინარეობს: ნიადაგი (შედარების ობიექტი) < ცეოლითი-ნიადაგი < ცეოლითი-მურა ნახშირი. მიღებული შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ ნიადაგის გამდიდრება ცეოლითით მურა ნახშირთან ერთად მნიშვნელოვნად ზრდის მარცვლოვანი კულტურების აღმოცენებასა და განვითარებას. მოცემული სამუშაო მოსინჯვითი ხასიათისაა, ხოლო წარმოდგენილი შედეგები საველე პირობებში გადამოწმებასა და შემოთავაზებული სუბსტრატების დეტალურ აგროქიმიურ კვლევას მოითხოვს.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური,	ჟურნალის დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2	ლ. ეპრიკაშვილი, ვ. ციციშვილი, თ. კორძახია, მ. ზაუტაშვილი, ნ. ფირცხალავა, მ. ძაგანია	აირ-თხევად ქრომატოგრაფიაში აირ-მატარებლის აქტივაცია C_1-C_5 ნორმალური აღნაგობის ერთატომიანი სპირტების ორთქლით	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია 2015, ტ.41, №3	თბილისი	გვ. 191-196.
	ანოტაცია				
	შემუშავებულია საწვავში შემავალი ნახშირწყალბადების იდენტიფიკაციის გამარტივებული აირ-ქრომატოგრაფიული მეთოდი. აპარატურულ გაფორმებაში კაპილარული სვეტები პრობლემური და ძვირადღირებულია, ხოლო რუტინული ანალიზისათვის ჩანაწყობიანი სვეტების გამოყენება უფრო ხელმისაწვდომი და მიზანშეწონილია.				

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური,	ჟურნალის დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
3	ლ. ეპრიკაშვილი, თ. კორძახია, ნ. ფირცხალავა, მ. ზაუტაშვილი, მ. ძაგანია.	აირ-მატარებლის აქტივაცია C_1-C_5 ნორმალური აღნაგობის ერთატომიანის პირტის ორთქლით აირ-თხევად ქრომატოგრაფიაში	პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის შრომები, მიძღვნილი გიორგი ციციშვილის დაბადების 100 წლისთავი-სადმი, 2015წ	თბილისი	გვ.52-57.
	ანოტაცია				
	ქრომატოგრაფიული დაყოფის პროცესში აირ-მატარებლის როლი იზრდება თუ ის გამდიდრებულია ორგანული აქროლადი დანამატის ორთქლით. სამუშაოში ნაჩვენებია, რომ აირ-მატარებლის დანამატად ერთი და იგივე ჰომოლოგიური რიგის ნაერთების გამოყენება ბუნებიდან (აქროლადობა, დუღილის ტემპერატურა, მოლეკულური მასა) გამომდინარე ანიჭებს მათ ელუენტ-გამომძევებლის როლს ან იხსნებიან უძრავ სითხეში და წარმოქმნიან ბინარული შედგენილობის სტაციონალურ ფაზას. ის ხელს უწყობს მრავალკომპონენტიანი სისტემის უფრო სრულ დაყოფას.				

№	ავტორი/	სტატიის სათაური,	კრებულის	გამოცემის	გვერდების

	ავტორები		დასახელება და ნომერი	ადგილი, გამომცემლობა	რაოდენობა
4	გ. წინწკალაძე, ლ. ეპრიკაშვილი, თ. ურუშაძე, თ. კორძახია, თ. შარაშენიძე, მ. ზაუტაშვილი, მ. ბურჯანაძე	ნანომოდიფიცირებული ბუნებრივი ცეოლითი – პროლონგირებული მოქმედების სასუქი	აგრარული მეცნიერების მაცნე 2015	თბილისი	გადაცემულია დასაბეჭდად
	ანოტაცია				
	ვულკანური წარმოშობის ბუნებრივი ცეოლითები ფართოდ გამოიყენება სოფლის მეურნეობაში როგორც დამოუკიდებელი, ასევე მინერალურ და ორგანულ სასუქებთან ნარევების სახით. ბუნებრივი ცეოლითები ნანოფოროვანი კრისტალური ჰიდრატირებული ალუმოსილიკატებია. ნანოტექნოლოგიური მოდიფიცირების გზით ცეოლითის ამონიუმის დიჰიდროფოსფატთან შერღობის შედეგად მიღებულია მაკრო- და მიკროელემენტებით გამდიდრებული პროლონგირებული მოქმედების სასუქი. ახალი ნანომასალის სტრუქტურა და ზოგიერთი ფიზიკურ-ქიმიური თვისება შესწავლილი იყო რენტგენოდიფრაქტომეტრული, ი.წ.-სპექტროსკოპის, თერმული ანალიზისა და ადსორბციის მეთოდებით. ნაჩვენებია, რომ მიღებული სასუქი წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული როგორც დახურულ, ასევე ღია გრუნტში.				
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური,	ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
5	ლ. ეპრიკაშვილი, მ. ზაუტაშვილი, თ. კორძახია, ნ. ფირცხალავა, მ. ძაგანია, ი. რუბაშვილი, ვ. ციციშვილი	სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ბიოპროდუქტიულობის ინტენსიფიკაცია ნიადაგში ბუნებრივი ცეოლითებისა და მურა ნახშირის შეტანის გზით	აგრარული მეცნიერების მაცნე 2015	თბილისი	გადაცემულია დასაბეჭდად
	ანოტაცია				
	ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით სტატიაში ნაჩვენებია მემცენარეობაში არატრადიციული ბუნებრივი რესურსების, ე.წ. აგრონომიული მადნის გამოყენების დადებითი გავლენა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის ამაღლებისა და ნიადაგის ფიზიკურ-ქიმიური თვისებების გაუმჯობესების მიზნით. ასეთი სასუქები ეფექტურ კომპლექსურ დადებით გავლენას ახდენენ ნიადაგის თვისებებზე, რეჟიმზე და მთლიანად “ნიადაგი-მცენარე” სისტემაზე. სტატიაში ნაჩვენებია ცეოლითის, მურა ნახშირისა და ნიადაგის საფუძველზე მომზადებული სუბსტრატების გამოყენების პერსპექტიულობა ტესტური კულტურის – ქერის აღმოცენების მაგალითზე. მოცემულ სამუშაოში მიღებული შედეგები დასახული პრობლემის გადაწყვეტისკენ მიმართულ დამაიმედებელ წინაპირობად შეიძლება ჩაითვალოს.				
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური,	ჟურნალის დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
6	გ. წინწკალაძე, ვ. ციციშვილი, ბ. კეშელავა, რ. სხვიტარიძე, თ. შარაშენიძე,	საშენ მასალათა დანამატებად საქართველოს ბუნებრივი ცეოლითების	პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის შრომები, მიძღვნილი	თბილისი	გვ. 60-62.

	მ. ბურჯანაძე	გამოყენების შესაძლებლობები /	გიორგი ციციშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი, 2015წ		
	ანოტაცია				
	შესწავლილია საქართველოს ბუნებრივი ცეოლითების – კლინოპტილოლიტის, მორდენიტის, ფილიპსიტის, ანალციმის, ლომონტიტის და სქოლეციტის ზეგავლენა საშენი მასალების (ცემენტი, ბეტონი) თვისებებზე.				
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური,	კრებულის დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
7	გ. წინწკალაძე, თ. კორძახია, შ. მელიქიძე, ვ. გვახარია, პ. წინწკალაძე, მ. ზაუტაშვილი, ნ. ბურკიაშვილი	ქართულ არქიტექტურაში გამოყენებულ ქვიშა-ქვასა და ცეოლითშემცველ ტუფებზე მოქმედი ეკოლოგიური ფაქტორები	პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის შრომები, მიძღვნილი გიორგი ციციშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი, 2015წ	თბილისი	გვ. 152-155.
	ანოტაცია				
	მოცემული და სისტემატიზირებულია ქვიშა-ქვითა და ცეოლითშემცველი ტუფით ნაგებ ქართულ არქიტექტურის ძეგლებზე მოქმედი ეკოლოგიური ფაქტორები.				
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური,	კრებულის დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
8	გ. წინწკალაძე, ვ. ციციშვილი, ბ. კეშელავა, რ. სხვიტარიძე, თ. შარაშენიძე, მ. ბურჯანაძე, შ. ვერულავა	ცემენტ-ბეტონის ტექნოლოგიაში საქართველოს ბუნებრივი ცეოლითების გამოყენების შესაძლებლობები	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია 2015	თბილისი	გადაცემულია დასაბეჭდად
	ანოტაცია				
	შესწავლილია საქართველოს ბუნებრივი ცეოლითების – სქოლეციტი, ანალციმი, მორდენიტი, ფილიფსიტი, ლომონტიტი, კლინოპტილოლიტი – ქიმიური შემადგენლობა და ცეოლითური ფაზის შემცველობა. ნაჩვენებია, რომ ცემენტებში მათი დანამატების სახით შეტანა აუმჯობესებს მის ხარისხს. ამ მხრივ განსაკუთრებით ეფექტური გამოდგა ცეოლითი კლინოპტილოლიტი.				
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური,	ჟურნალის დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
9	ა. ფაშაევი, ო.დავარაშვილი, მ.ენუქაშვილი, ზ.ახვლედიანი, რ.გულიაევი, ლ.ბიჩკოვა, მ.ძაგანია, გ.ზლომანოვი	ტყვია სელენიდის დაძაბული ეპიტაქსიალური ფენების ოპტიკური შტანთქმის სპექტრების მოდელირება	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია 2015, ტ. 41, №1-2.	თბილისი	გვ. 69-75.
	ანოტაცია				
	ნაშრომში მცდელობაა ექსპერიმენტულ მონაცემებზე დაყრდნობით ენერგეტიკული				

	სპექტრის და დენის გამტართა განბნევის პარამეტრების: ფერმის დონის, აკრძალული ზონის სიგანის და დენის გამტათა ძვრადობის მოდელირების და მათი გავლენის შესწავლა ოპტიკური შთანთქმის სპექტრების ხასიათზე (ფენის სისქით <200 ნმ). შთანთქმის სპექტრები აგებულია ექსპერიმენტული ტრანსმისიის სპექტრებზე დაყრდნობით და თანმიმდევრული განსაზღვრით არეკვლის ამპლიტუდით და შთანთქმის კოეფიციენტების განსაზღვრით (ფაბრი-პეროს ინტერფერომეტრის მოდელი). შთანთქმის კოეფიციენტების კვადრატების ექსტრაპოლაციის ანალიზმა შესაძლებელი გახადა გამოევლინა დაძაბულ ფენებში აკრძალული ზონის სიგანე და დამატებითი შთანთქმა კიდის შთანთქმისა და დენის გამტარებლებზე შთანთქმის შორის. აღმოჩნდა, რომ დამატებითი შთანთქმის დონე 2006მ სისქის ფენებში უახლოვდება მის სიდიდეს “ 1მკმ სისქის ფენებში. ეს ნიშნავს, რომ დამატებითი შთანთქმა ფენის სისქის შემცირებისას არ არის დამოკიდებული ფენების მზარდ დეფექტიანობაზე, როგორც ეს ვლინდება დენის გამტართა ძვრადობის შემცირებისას ერთი რიგით, როდესაც ფენის სისქე მცირდება 1მკმ-დან 180 ნმ-მდე.				
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური,	ჟურნალის დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
10	ა. ფაშაევი, ო.დავარაშვილი, მ. ენუქაშვილი, ლ. ბიჩკოვა, რ.გულიაევი, მ.ძაგანია, ვ.ზლომანოვი	IV-VI ნახევარგამ-ტარული ნანოფენე-ბის ოპტიკური ტრან-სმისიის და შთანთ-ქმის სპექტრების სპეციფიკა	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია 2015, ტ. 41, №3.	თბილისი	გვ.204-209.
	ანოტაცია				
	ტყვია სელენიდის ნანოფენების ოპტიკური ტრანსმისიის და შთანთქმის სპექტრების შესწავლისას და გაანალიზებისას ნაშრომში აღმოჩენილია ახალი სპეციფიური თავისებურებანი. გამოიკვეთა: ტრანსმისიის დონე ამგვარ ფენების სპექტრებში მოითხოვს შესამჩნევ კორექტირებას იმისათვის, რომ – დ.გ.. იყოს დადებითი მთელ სპექტრზე და მათი მნიშვნელობა მაღალ ენერგიებისას შეესაბამებოდეს სპექტრის წანაცვლებას ნანოფენებში. შთანთქმის კოეფიციენტების კვადრატების ექსტრა-პოლაცია მაღალ ენერგიებზე და დამატებითი შთანთქმის ფართო მაქსიმუმი განა-პირობებენ აკრძალული ზონის სიგანის ცვალებადობას. დამატებითი შთანთქმის კოეფიციენტების მაღალი მნიშვნელობა განპირობებულია გაბნევის პატარა დროებით დენის გამტართა გადასვლებისას დეფექტის დონიდან დაშვებული ზონის ფსკერზე ან დაშვებული ზონის ფსკერიდან ზონის სხვა შტოზე.				
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური,	ჟურნალის დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
11	ა. ფაშაევი, ო. დავარაშვილი, მ. ენუქაშვილი, ლ. ბიჩკოვა, რ.გულიაევი, მ.ძაგანია, ვ.ზლომანოვი	IV-VI მრავალკომპო-ნენტიანი მყარი ხსნარების საფუძ-ველზე შექმნილი იწ ლაზერების ზღვრუ-ლი დენის და გამოსხივების სიმძ-ლავრეს შესახებ	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია. 2015, ტ. 41, №4	თბილისი	გადაცემუ-ლია დასაბეჭდად
	ანოტაცია				
	საკითხი მაღალი ზღვრული დენების შესახებ ი.წ. ლაზერებში შექმნილ IV VI ნახევარგამტარული ჰეტეროსტრუქტურების თანმხვედრი კრისტალური მესრის პა-რამეტრებით (PbSe – bSnSeTe საფუძველზე) ეპიტაქსიის 500-600°C ტემპერატურაზე დიდი ხნის განმავლობაში რჩებოდა გაურკვეველი. მითუმეტეს რომ მათი გამოსხი-ვების				

	სიმძლავრე უფრო მაღალი იყო ვიდრე ჰომოლაზერებში. კვლევებმა გვიჩვენა, რომ ტელურის და კალას დიფუზიის გამო ლაზერების აქტიურ უბანში ჰეტეროსა-ზღვრის მახლობლად იქმნება შეუთანხმლებობის ნაკვეთი და დაძაბულობა მათში უახლოვდება დრეკადობის ზღვარს IV VI ნახევარგამტარებში, ამიტომ აგრეთვე იკ-ლებს დენის გამტართა არაგამოსხივითი რეკომბინაციის დრო. აქტიური უბნის ლე-გირებისას მანგანუმის მინარევით დრეკადული მდგომარეობის ზღვარი მაღლდება, ზღვრული დენი კლებულობს და ლაზერების სამუშაო ტემპერატურა იზრდება გამო-სხივების სიმძლავრის მაღალი დონის შენარჩუნებით.				
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური,	ჟურნალის დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
12	იმედა რუბაშვილი, ვლადიმერ ციციშვილი	თამბაქოს გამონაბოლქვში აქროლადი N-ნიტროზოამინების რაოდენობრივი განსაზღვრა ვალიდირებული ქრომატო-მასსპექტრომეტრული მეთოდის გამოყენებით და მისი განუსარღვრელობის შეფასება N-ნიტროზომეთილეთილამინის მაგალითზე	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე 2015, ტ. 9, № 1,	თბილისი	გვ.85-91
	ანოტაცია				
	ნაშრომში აღწერილია შემუშავებული, მეთანოლიან საკვლევ ნიმუშებში 9 აქროლადი N-ნიტროზამინის რაოდენობრივი განსაზღვრის ახალი, ეფექტური, მგრძნობიარე და სწრაფი ქრომატო-მასსპექტრომეტრული მეთოდით N-ნიტროზომეთილეთილამინის განსაზღვრა ადგილობრივი წარმოების სიგარეტის თამბაქოს გამონაბოლქვში და მისი განუსაზღვრელობის შეფასება. საკვლევ ნიმუშებში N-ნიტროზომეთილეთილამინის დადგენილი რაოდენობები მერყეობს მერყეობს 108–124 ნგ 1 სიგარეტზე გადაანგარიშებით, რაც ძალიან მაღალია და სავარაუდოდ გამოწვეული უნდა იყოს თამბაქოში ნიტრატებისა და კუპრის მაღალი შემცველობით.				
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური,	ჟურნალის დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
13	ი. რუბაშვილი, ქ. ხარშილაძე, თ. ლომთაძე.	შემოგარსული ტაბლეტების წარმოების დატაბლეტების პროცესში კრიტიკული წერტილების დადგენა HACCP-ის მეთოდით	ჟურნალი „ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი“. 2015, №3.	თბილისი	7
	ანოტაცია				
	ნაშრომში შეფასებულია ყველა მნიშვნელოვანი რისკი, რომლებიც დაკავშირებული შეიძლება იყოს ფარმაცევტული პროდუქტის ხარისხთან, პაციენტის უსაფრთხოებასთან მიმართებაში შემოგარსული ტაბლეტების წარმოების ტექნოლოგიური სტადიასა და გამოყენებულ საწყისი ნედლეულთან (აქტიური ფარმაცევტული ინგრედიენტი, დამხმარე ნივთიერებები). რისკების შესაფასებლად გამოყენებული იქნა რისკების შეფასების HACCP-ის მეთოდი. განისაზღვრა რისკების კრიტიკულობა, შემუშავებული იქნა კრიტიკული წერტილებისა და რისკების კონტროლის/შემცირების ღონისძიებები.				
№	ავტორი/	სტატიის სათაური,	ჟურნალის	გამოცემის	გვერდების

	ავტორები		დასახელება და ნომერი	ადგილი, გამომცემლობა	რაოდენობა
14	თ. კუჭუხიძე, ნ. ჯალაღონია, ე. სანაია, ვ. გაბუნია, ქ.სარაჯიშვილი, თ. ქორქია, რ. ჭედია	მეორადი ალუმინისაგან ულტრადისპერსული α-Al_2O_3 ფხვნილების მიღების მეთოდების დამუშავება	პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის შრომები, მიძღვნილი გიორგი ციციშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი, 2015წ	თბილისი	გვ.95-104.
	ანოტაცია				
	α-Al_2O_3 –ის დაბალტემპერატურული სინთეზი ენერგოდამზოგი პროცესია და ფრიად აქტუალურია კორუნდის კერამიკის წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფისათვის. შესწავლილია მეორადი ალუმინისაგან მიღებული ალუმინის იზოპროპილატისაგან სინთეზირებული ოქსოჰიდროქსიდების დაბალტემპერატურული ტრნსფორმაციის შესაძლებლობა α-Al_2O_3-ში მცირე რაოდენობით იშვიათმიწათა ელემენტების ნაერთების, ასევე სხვა ნაერთების (დოპანტები) თანაობისას. შემუშავებულია ალუმინის ნიტრატის ფუძეზე ულტრადისპერსული ალუმინის ოქსიდის მიღებისა და მისგან კერამიკული ნაკეთობების დამზადების ტექნოლოგია.				
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური,	ჟურნალის დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
15	თ. კუჭუხიძე, ნ. ჯალაღონია, მ. მუმლაძე, ი. ჯინიყაშვილი, თ. ქორქია, ვ. გაბუნია, რ. ჭედია	α-Al_2O_3-ის ფხვნილების მიღება მეორადი	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია 2015, ტ.41, №3	თბილისი	გვ. 288-294
	ანოტაცია				
	ნაშრომში შესწავლილია მეორადი ალუმინისაგან ალუმინის იზოპროპილატის, ნიტრატისა და ალუმინის ფხვნილის მიღება და მათი შემდგომი ტრანსფორმაცია α-Al_2O_3-ში. ნაჩვენებია ალუმინის ოქსოჰიდროქსიდების დაბალტემპერატურული ტრანსფორმაციის შესაძ ლებ ლობა α-Al_2O_3-ში მცირე რაოდენობით იშვიათმიწათა ელემენტების ნაერთების (ასევე სხვა დო პან-ტების) თანაობისას. α-Al_2O_3-ის დაბალტემპერატურული სინთეზი ენერგოდამზოგავი პროცესია და ფრიად აქტუალურია კორუნდის კერამიკის წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფისათვის.				
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური,	ჟურნალის დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური,	ჟურნალის დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
16	მ. ციცაგი, მ. ჩხაიძე, ა. ხაჩიძე, მ.ბუზარიაშვილი, ქ. ებრალიძე, ც. რამიშვილი, ვ. ციციშვილი	მანდარინის (Citrus Unshiu) კანიდან ეთერზეთების, კაროტინოიდების და ბიოფლავანოიდების საფეხურებრივი სუპერკრიტიკული	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე. ქიმიის სერია. 2015, ტ. 41, N3.	თბილისი,	გვ. 248-252.

		ექსტრაქცია.			
	ანოტაცია				
	აღწერილია აგროსამრეწველო ნარჩენიდან-მანდარინის ქერქიდან სუპერკრიტიკული სითხეებით საფეხურებრივი ექსტრაქციის მეთოდი. პირველ ეტაპზე სუპერკრიტიკული CO2-ით ექსტრაგირდება მანდარინის ზეთი, რომლის ძირითადი შემადგენელია d-ლიმონენი (>90%); მეორე ეტაპზე 7% მოც. აცეტონის დანამატიანი სუპერკრიტიკული CO2-ით ექსტრაგირდება β-კაროტინი; მესამე ეტაპზე 5% მოც. მეთანოლის დანამატიანი სუპერკრიტიკული CO2-ით ექსტრაგირდება ჰესპერიდინი. მეთოდი გამოყენებადია ნებისმიერი სხვა ციტრუსის ქერქის შემთხვევაში.				
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური,	ჟურნალის დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
17	ნ. დოლაბერიძე, ვ. ციციშვილი ნ. მირძველი, მ. ნიჟარაძე, ნ. ხაზარაძე, ზ. ამირიძე.	კვების პროდუქტების შესაფუთი ქაღალდის ცეოლითური შემავსებელი	კრებული “ფუნქციონალური დანიშნულების კვების პროდუქტების წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიები” 2015 წ.	ქ.ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	გვ. 30-33
	ანოტაცია				
	შემუშავებულია ბუნებრივი კლინოპტილოლიტის პირდაპირი ქიმიური მოდიფიცირების მექანიზმი, დადგენილია მჟავით დამუშავების ოპტიმალური პირობები და შექმნილია მაღალსილიციუმშემცველი ცეოლითური შემავსებლის მომზადების მოდელი. მიღებულია სხვადასხვა სორბატის მიმართ მაღალშთანთქმითუნარიანი, მათეთრებელი თვისებების მატარებელი ცეოლითური შემავსებელი (მიკროფორებითა და გარდამავალი ფორებით),რომლის გამოყენებაც რეკომენდებულია კვების პროდუქტების შესაფუთი ქაღალდის წარმოებისთვის.				
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური,	ჟურნალის დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
18	ნ.დოლაბერიძე, ვ.ციციშვილი, მ.ნიჟარაძე, ნ.მირძველი, ქ.ებრალიძე	ვერცხლისშემცველი ანტიბაქტერიული სორბენტის მიღება და მათი ზოგიერთი მახასიათებელი პ	პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის შრომები, მიძღვნილი გიორგი ციციშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი, 2015წ	ქ.თბილისი,	გვ. 41-44
	ანოტაცია				
	საქართველოს ბუნებრივი ფილიპსიტის საფუძველზე იონმიმოცვლის მეთოდით მიღებულია ანტიბაქტერიული სორბენტები, ვერცხლის სხვადასხვა შემცველობით. ქიმიური ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით, გამოთვლილია ვერცხლის იონების ჩანაცვლების ხარისხები ცეოლითის შიგაკრისტალურ სტრუქტურაში. დადგენილია, რომ მაღალკონცენტრირებული ვერცხლის ნიტრატის ხსნარით დამუშავება ამცირებს ადსორბციას წყლის ორთქლის მიმართ და ხელს უწყობს ცეოლითის სტრუქტურაში ვერცხლის იონების დაგროვებას, რაც შესაბამისად განაპირობებს მათი გამოყენების შესაძლებლობას მედიცინის შესაბამის დარგებში.				
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური,	ჟურნალის დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

	ნ. დოლაბერიძე, ვ. ციციშვილი, მ. ნიჟარაძე, ნ. მირძველი, ნ. ხაზარაძე, ნ.კლარჯეიშვილი	ბაქტერიციდული ცეოლითური ნანომასალების მომზადების ტექნოლოგია	კრებული “ფუნქციონალური დანიშნულების კვების პროდუქტების წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიები” 2015 წ.	ქ.ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	გვ. 393-395
	ანოტაცია				
19	განხილულია სამედიცინო პრეპარატის აქტიური კომპონენტის, მაღალი სისუფთავის წვრილდისპერსული ცეოლითური სორბენტის მომზადების ტექნოლოგია. მსგავსი ცეოლითური სორბენტი შექმნილია საქართველოს ბუნებრივი ფილიპსიტშემცველი ქანის ქიმიური მოდიფიცირების გზით და ითვალისწინებს ცეოლითის სორბციულ-დეტოქსიკაციური და ლითონის კატიონის (*Zn2+)* ანტიბაქტერიული და ანტივირუსული თვისებების შერწყმას. ნანოგანზომილებიანი ცეოლითური კრისტალების მიღების აღნიშნული მეთოდის გამოყენების სფეროდ რეკომენდებულია ფარმაკოქიმიური წარმოება.				
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური,	ჟურნალის/კრებული ს დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	ნ. დოლაბერიძე, ვ. ციციშვილი, მ. ნიჟარაძე, ნ. მირძველი, მ. ალელიშვილი	წვრილდისპერსული ცეოლითური მასალების კრისტალიზაციის პროცესის შესწავლა,	ჟურნალი GEN №1 (vol.73), 2015	TECHINFORMI Tbilisi, ტექინფორმი, თბილისი.	გვ. 93-95
20	ანოტაცია				
	შესწავლილია ჰიდროთერმული კრისტალიზაციის პროცესი სისტემაში-ცეოლითური ქანი (AG) და მამინერალიზებადი აგენტი (NaOH). დადგენილია კრისტალიზაციის პროცესის კანონზომიერებანი, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია წვრილდისპერსული ფოჯაზიტის ტიპის ცეოლითის მიღების ახალი მეთოდი. განსაზღვრულია კრისტალიზაციის პროცესის პარამეტრები.				
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური,	ჟურნალის/კრებული ს დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
21	Н.Долаберидзе, В.Цицишвили, М.Суладзе, Н.Мирдзели. ნ.დოლაბერიძე, ვ.ციციშვილი, მ.სულაძე, ნ.მირძველი	Цеолиты-объекты исследования, проведенных в Грузии кандидатских и докторских диссертаций. ცეოლითები-საქართველოში შესრულებული საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების კვლევის ობიექტები.	პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის შრომები, მიძღვნილი გიორგი ციციშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი, 2015წ	ქ.თბილისი,	с.189-194
	ანოტაცია				
	წარმოდგენილია, საქართველოში შესრულებული საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების მოკლე მიმოხილვა, რომელთა კვლევის ობიექტები ცეოლითებია. სადისერტაციო სამუშაოები ძირითადად მიძღვნილია ცეოლითების გამოვლენისადმი,				

	ცეოლითების სინთეზის, მოდიფიცირების, ფიზიკურ-ქიმიური თვისებების კვლევის და მრავალმხრივი გამოყენებისადმი. ნაჩვენებია ქართველი მეცნიერების დიდი წვლილი და დამსახურება ცეოლითების გეოლოგია-მინერალოგიისა და ქიმიის განვითარებაში. აღნიშნულია, ცეოლითების კვლევის დარგში შესრულებული დისერტაციების მიმართულებები. მოცემულია სტატისტიკური მონაცემები, რომელიც აღწერს ქართველი მეცნიერების უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით შესრულებული დისერტაციების დინამიკას წლების მიხედვით.				
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური,	ჟურნალის/კრებული ს დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
22	რ. ჭედია, თ. კუჭუხიძე, ნ. ჯალაღონია, თ. არჩუაძე, ქ. სარაჯიშვილი, გ. ქვარცხავა	α-ალუმინის ოქსიდის ფხვხნილო-ვანი კომპოზიტების კონსოლიდაცია მაღალტემპერატუ-რულ ვაკუუმურ ღუმელში ცხელი დაწნეხვის მეთოდით ალუმინისაგან,	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, *ქიმიის სერია* ტ.41, №3	თბილისი	9
	ანოტაცია				
	OXY-GON ღუმელის გამოყენებით მიღებულია სხვადასხვა ტიპის მატრიცული კერამიკული კომპოზიტები (α-Al_2O_3-MgO, α-Al_2O_3-Y_2O_3-MgO, α-Al_2O_3-SiC-Y_2O_3-MgO და სხვ.). ფხვნილების კონსოლიდაცია ჩატარდა 1600°C-ზე (1 სთ, წნევა-500 კგ/სმ^2). მიღებული კორუნდის კერამიკული ნააკეთობები, რომლებიც ხასიათდებიან მაღალი სისალითა და ბზარმედეგობით, ღია ფორიანობის არ არსებობით, კოროზიული მედეგობით. მათი სიმკვრივე თეორიულის 99,5-99,6% აღწევს.				
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური,	ჟურნალის/კრებული ს დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
23	გ. ბოკუჩავა, თ. კუჭუხიძე, ნ. ჯალაღონია, ე. სანაია, რ. ჭედია	სხვადასხვა ტიპის კომპოზიციური მასალების მიღება მაღალტემპერატუ-რულ ვაკუუმურ ღუმელში (Obtaining of Different Types of Composite Materials by High Temperature Vacuum Furnace (OXY-GON)")	საერთაშორისო კონფერენცია „არაორგანული მასალთმცოდნეობის და თანამედროვე ტექნოლოგიების" მოხსენებათა კრებული №2	თბილისი	6
	ანოტაცია				
	ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ნანოტექნოლოგიების გამოყენებას, ნანოფხვნილებისა და ნანოსტრუქტურული მასალების მიღებას. ფხვნილოვანი კომპოზიტების კონსოლიდაცია მაღალი წნევის ქვეშ საშუალებას იძლევა მივიღოთ თეორიული სიმკვრივის მქონე მასალები. დამუშავებული იქნა ოქსიდური და არაოქსიდური ნაერთებიდან (Al_2O_3-MgO, Al_2O_3-ZrO_2-Y_2O_3, Al_2O_3-ZrO_2-MgO, Al_2O_3-SiC, MgB_2, MgB_2-B_4C, MgB_2- SiC, WC-Co, TiC-Ni, Mo_2C-				

	Co) სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების მქონე მასალების მიღების ტექნოლოგია მაღალტემპერატურულ ვაკუუმური ღუმელის (OXY-GON) გამოყენებით.				
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური,	ჟურნალის/კრებული ს დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
24	თ. კუჭუხიძე, ზ. ფაჩულია, ნ. ჯალაღონია, გ. ქვარცხავა, ო. ლეკაშვილი, რ. ჭედია	ფხვნილოვანი კომპოზიტები მატრიცული კომპო-ზიტებისათვის (Powdery Composites for Matrix Ceramics)	საერთაშორისო კონფერენცია „მოწინავე მასალები და ტექნოლოგიების“ მოხსენებათა კრებული №1	თბილისი	5
	ანოტაცია				
	მოცემულ ნაშრომში შესწავლილია ოქსიდური მატრიცული (Al_2O_3, ZrO_2) ფხვნილოვანი კომპოზიტების მიღება, რომლებიც შეიცავენ სხვადასხვა ტიპის გამაძლიერებელ კომპონენტებს, როგორცაა ოქსიდები, კარბიდები, ოქსინიტრიდები და სხვ. ფხვნილოვანი კომპოზიტების მისაღებად გამოყენებულ იქნა ზოლ–გელ მეთოდი, თვითგანვითარებადი ჟანგვა–აღდგენის, კომპონენტების ერთდროული სინთეზისა და მექანოქიმიური მეთოდები. მიღებულია გრაფენის ოქსიდის (0.5–2%) შემცველი დასაწნეხი ფხვნილოვანი კომპოზიტები ალუმინის ოქსიდის ფუძეზე. შესწავლილია ალუმინის მეტასტაბილური ოქსოჰიდროქსიდების დაბალტემპერატურული ტრანსფორმაცია სხვადასხვა დოპანტებისა და გამაძლიერებელი კომპონენტების თანაობისას.				
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური,	ჟურნალის/კრებული ს დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
25	ა. გაჩეჩილაძე, ბ. მარგიევი, რ. ჭედია, ა. ოკლეი, ლ. ჩხარტიშვილი, ო. ცაგარეიშვილი	ახალი ნანოშენადნო-ბები ფოლადის მოდიფიცირებისა-თვის (New nanoalloys for modifying the steel)	საერთაშორისო კონფერენცია „არაორგანული მასალთმცოდნეობის და თანამედროვე ტექნოლოგიების“ მოხსენებათა კრებული №2	თბილისი	4
	ანოტაცია				
	დამუშავებულია ფხვნილოვანი ნანოლიგატურების მიღების მეთოდები, რომლებიც შეიცავენ 56-82% მას. Fe, 9-10% Co (Ni, Mo) და 9-11% Al_2O_3. რენდგენოფაზური ანალიზით დადგენილია რომ ფხვნილთა ნაწილაკის ზომები 30-90 ნმ-ის ფარგლებშია და კომპონენტები თანაბრადაა გადანაწილებული ლიგატების მასაში.				
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური,	ჟურნალის/კრებული ს დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
26	ა. გაჩეჩილაძე, ბ. მარგიევი, რ. ჭედია, ა. ოკლეი, ლ. ჩხარტიშვილი,	ბორის შემცველი ნანოკრისტალური შენადნობების მიღება	Nano Studies 2015, 12.	თბილისი	205-208.

	ო. ცაგარეიშვილი				
	ანოტაცია				
	დამუშავებულია ფხვნილოვანი ნანოლიგატურების მიღების მეთოდები, რომლებიც შეიცავენ 56-82% მას. Fe, 9-10% Co (Ni, Mo) და 9-11% Al_2O_3. რენდგენოფაზური ანალიზით დადგენილია რომ ფხვნილთა ნაწილაკის ზომები 30-90 ნმ-ის ფარგლებშია და კომპონენტები თანაბრადაა გადანაწილებული ლიგატების მასაში.				
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური,	ჟურნალის/კრებული ს დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
27	ე. სანაია, გ. ბოკუჩავა, რ. ჭედია	მაგნიუმის დიბორიდის სინ-თეზი და კონსოლი-დაცია (Synthesis and Consolidation of Superconductor Magnesium Diboride)	საერთაშორისო კონფერენცია „მოწინავე მასალები და ტექნოლოგიების“ მოხსენებათა კრებული №1	თბილისი	5
	ანოტაცია				
	ზეგამტარი მაგნიუმის ბორიდის მასიური ნიმუშები 50-52 მმ დიამეტრით მიღებულ იქნა მაგნიუმისა და ამორფული ბორის ფხვნილების ურთიერთქმედებით ინდუქციურ ღუმელში ცხელი დაწნეხვისა და ნაპერწკლოვანი-პლაზმური სინთეზის მეთოდით ტემპერატურის თანდათანობით მომატებით 1050^{0}C-მდე. დიდი დიამეტრის ნიმუშების მიღება დაკავშირებულია მთელ რიგ პრობლემებთან: იზრდება ფორიანობა, მიღებული ნიმუშების 40-45%-ში წარმოიქმნება მაკრობზარები და ზოგ შემთხვევაში იმსხვრევა. ოპტიმალური ნიმუშები მიღებულ იქნა ინდუქციურ ღუმელში, როდესაც სინთეზისა და კონსოლიდაციის ტემპერატურა 1050^{0}C აღწევს (80-85 წთ), ხოლო წნევა 5 ტონაა. ნიმუშების ზეგამტარული გადასვლის ტემპერატურა (Tc) 38.5- 39K აღწევს.				

2) უცხოეთში

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლ. ეპრიკაშვილი, თ. კორძახია, თ. ანდრონიკაშვილი	ცეოლითები ორგანუ-ლი სითხეების უნი-კალური გამშრობები	LAP LAMBERT Academic Publishing	91
	ანოტაცია			
	წიგნში მოყვანილია ორგანული სითხეების გაშრობის პრაქტიკაში გამოყენებული სინთეზური და ბუნებრივი ცეოლითების ძირითადი ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები. ნაჩვენებია ზემოთ აღნიშნულ პროცესებში სედიმენტაციური წარმოშობის ბუნებრივი ცეოლითების გამოყენების დიდი შესაძლებლობები. წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ამ მინერალების საწარმოო საბადოების დახასიათებას როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიო მასშტაბით. მოყვანილია სხვადასხვა წარმოშობის ორგანული სითხეების გაშრობაში ამ წვრილფოროვანი მასალების ეფექტური გამოყენების მრავალრიცხოვანი მაგალითი. წიგნი განკუთვნილია მეცნიერებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისათვის, ქიმიური, ნავთობქიმიური, აირგადამამუშავებელი და წარმოების სხვა დარგის სპეციალბისათვის. იგი დიდ დახმარებას გაუწევს ამ საკითხებით დაინტერესებული ქიმიურ-ტექნოლოგიური და ნავთობქიმიური უმაღლესი			

	სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებს, დოქტორანტებსა და სტუდენტებს.			
№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2	Levan Chkhartishvili, Lina Sartinska, Tsiuri Ramishvili	Advanced Environmental Analysis. Applications of Nanomaterials. Ed-s: Chaudhery Hussain and Boris Kharisov გარემოსდაცვითი თანამედროვე ანალიზი. ნანომასალების გამოყენება.	The Royal Society of Chemistry (RSC). 2016 9781782621447 | 2016| Thomas Graham House Science Park | Milton Road | Cambridge | CB4 0WF | UK www.rsc.org	25 გვ.
	ანოტაცია			
	მოწოდებულია თეორიული მოდელი ნანო ბორის ნიტრიდის ჰიდროფობური ზედაპირით წყალხსნარებიდან ორგანულ დამაბინძურებელთა სელექტური ადსორბციის შესახებ. ნანო ბორის ნიტრიდი შეიძლება წარმატებით იყოს გამოყენებული ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ზღვის წყლის გასაწმენდად.			

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური,	ჟურნალის დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ი. რუბაშვილი, თ. კორძახია	თამბაქოს გამონაბოლქვში ზოგიერთი აქროლადი N ნიტროზამინის რაოდენობრივი შეფასება ქრომატომასსპექტრომეტრიის მეთოდით	აზიური ქიმიის ჟურნალი ტ.27, №10	ინდოეთი, www.asianjournalofchemistry.co.in	გვ. 1-7
	ანოტაცია				
	ნაშრომში მოცემულია თამბაქოს გამონაბოლქვში 9 აქროლადი N-ნიტროზამინის რაოდენობრივი განსაზღვრის ახალი, ეფექტური, მგრძნობიარე და სწრაფი ქრომატომასსპექტრომეტრული მეთოდის შემუშავება და ვალიდაცია. შესწავლილია მეთოდის ვალიდაციის შემდეგი პარამეტრები: სისტემის ვარგისობის შემოწმება, განმეორებადობა, სწორხაზოვნება-დიაპაზონი, სტანდარტული ნიმუშის ხნსარების სტაბილურობა, აღმოჩენისა და რაოდენობრივი განსაზღვრის ზღვრები. აღნიშნული მეთოდი შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ხარისხის კონტროლისა და ექსპერტიზის ლაბორატორიებში აქროლადი N-ნიტროზამინების რაოდენობრივი რუტინული განსაზღვრისათვის.				
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური,	ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2	ა.ფაშაევი, ო.დავარაშვილი,	ტყვია სელენიდის ნანოფენების	მასალათმცოდნეობა და ტექნიკა	ინგლისი www.iopscience.i	გვ. 1-6

	მ.ენუქაშვილი, ზ. ახვლედიანი, რ. გულიაევი, მ.ძაგანია,	.პარამეტრების ვარიაციები მათი ტექნოლოგიის ცვლილებით /	2015, 77, 012017	op.org	
	ანოტაცია				
	იV ფოტოდეტექტორების შესაქმნელად დაძაბული PbSe ფენების საფუძველზე მიღე-ბული მოლეკულური ეპიტაქსიის „ცხელი კედლით“ მეთოდით ჩატარებულია ოპ-ტიმიზაცია, კერძოდ, მაღალი დეფორმაციის მისაღებად ფენებში ასევე მაღალი სის-ქეებით. ოპტიმალური სისქეების დიაპაზონში 50-80ნმ რეალიზირებულია დეფორ-მაციები $1•10^{-2}$ დონეზე ტანგენციალური მესრის პარამეტრების, დეფორმაციების და რენტგენოდიფრაქციული ხაზების ნახევარსიგანის გამოკვლევების შედეგად. აკრძალული ზონის სიგანე დაძაბულ ფენებში 300K ტემპერატურაზე იზრდება არადაძაბულ ფენებთან შედარებით.				
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური,	ჟურნალის დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
3	ა.ფაშაევი, ო.დავარაშვილი, მ.ენუქაშვილი, ზ.ახვლედიანი, ლ.ბიჩკოვა, მ.ძაგანია, ვ.ზლომანოვი.	ტყვია ტელურიდის და ტყვია სელენი-დის ეპიტაქსიალური ფენების შთანთქმის სპექტრების ანალი-ზი.	საინჟინრო და ინოვაციური ტექნოლოგიების საეთაშორისო ჟურნალი (IJEIT)2015, 4, 1,	აშშ www.ijert.org	გვ.193-198
	ანოტაცია				
	ოპტიკური ტრანსმისიის სპექტრების დამუშავებისას PbTe და PbSe ეპიტაქსიალურ ფენებში (გაზრდილთ BaF_2 (111) და NaCl (100) საფენებზე მოლეკულური ეპიტაქსიის „ცხელი კედლით“ მეთოდით) დადგენილია გარდატეხის მაჩვენებელი, არეკვლის და შთანთქმის კოეფიციენტები. დენის გამტართა კონცენტრაცია ფენებში იცვლებოდა 10^{18} – 10^{19}სმ$^{-3}$ ფარგლებში. განხორციელებულია შთანთქმის სპექტრების ანალიზი და შთანთქმის კოეფიციენტების კვადრატების ექსტრაპოლაციის შედეგად დადგენილია აკრძალული ზონის სიგანე შრომაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დენის გამტართა მაღალი კონცენტ-რაციის გავლენას გარდატეხის მაჩვენებლის დისპერსიაზე, დენის გამტართა შთან-თქმაზე და მათ გადაგვარებაზე. აკრძალული ზონის კორექტული მნიშვნელობის დადგენა განხორციელდა შთანთქმის კოეფიციენტის გადაყვანით არაგადაგვარებულ მდგომარეობაში. PbSe ფენებში ფუნდამენტურ შთანთქმას და დენის გამტარებზე შთანთქმას შორის ოპტიკურ სპექტრში აღმოჩენილია დამატებითი შთანთქმა. ხოლო PbTe ფენებში უფრო დაბალი კონცენტრაციით დამატებითი შთანთქმა გამოვლინდა ტრანსმისიის სპექტრის მოდელირებით ნულოვანი შთანთქმისას.				
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური,	ჟურნალის დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
4	ი.რუბაშვილი, ნ.ქარუხნიშვილი, კ.ლორია, ნ.დვალი	Cleaning validation for estimation of active ingredients'residues of vicazid uncoated tablets (pyrantel 100 mg/mebendazole 150 mg) on surfaces of pharma-	International Journal of Pharmacy and Pharmaceutical Sciences. 2015, 7 (6)	ინდოეთი აშშ-ს ერთობლივი გამოცემა	გვ.158-164

		ceutical manufactu-ring equipment using swab sampling and HPLC method /			
	ანოტაცია				
	ნაშრომში მოცემულია ვიკაზიდის შემოუგარსავი ტაბლეტების წარმოების შემდეგ დანადგარის ზედაპირებზე პირანტელისა და მებენდაზოლის ნარჩენების სინჯის აღებისა და რაოდენობრივი შეფასების მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფული მეთოდის შემუშავება-ვალიდაცია. ეს მეთოდი აღნიშნული პროდუქტის წარმოების შემდეგ შეფასდეს დანადგარების ზედაპირების დასუფთავების ეფექტურობა და დასამზადებელი შემდგომი ფარმაცევტული პროდუქტის ჯვარედინი კონტამინაციის საფრთხისგან თავიდან აცილების საშუალებას იძლევა. მეთოდი შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ფარმაცევტულ ინდუსტრიაში მსგავსი პრეპარატის წარმოების პროცესში ან/და აქტიური ნივთიერებების - პირანტელისა და მებენდაზოლის ნარჩენების რუტინული საკონტროლო ანალიზების ჩასატარებლად დასუფთავების ვალიდაციისთვის.				
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური,	ჟურნალის დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
5	თ. ყალაბეგიშვილი, ი. მურუსიძე, დ. ფრანგიშვილი, ლ. კვაჭაძე, ე. კირკესალი, ა. რჩეულიშვილი, ე. გინტური, მ. ჯანჯალია, გ. ცერცვაძე, ვ. გაბუნია, მ. ფრონტასიევა, ი. ზინიკოვსკაია, ს. პავლოვი	სულფოლობუს ისლანდიკუსის ბიომასიდან სინთეზირებული ვერცხლის ნანონაწილაკების მიღების ტექნოლოგია /	Advansed Science, Engineering and Medicine 2015, ტ. 7	USA	გვ. 1-8
	ანოტაცია				
	პირველად იქნა ნაჩვენები ვერცხლის ნანონაწილაკების მიღების შესაძლებლობა Sulfolobus islandikus LAL14/1 შტამით ვერცხლის ნიტრატის წყალხსნართან ურთიერთქმედებისას.				
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური,	ჟურნალის დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
6	თ. კუჭუხიძე, ნ. ჯალაღონია, ვ. გაბუნია, ზ. ფაჩულია, რ. ჭედია.	ალუმინის არასტა-ბილური ოქსოჰიდ-როქსიდების გარდა-ქმნა ულტრადის-პერსულ α-Al_2O_3-ში სხვადასხვა დოპან-ტის თანაობისას /	World Academy of Science, Engineering and Technology 2015, ტ.9	პარიზი, საფრანგეთი, www.scholar.waset.org/1999.0/10002637	გვ.1203-1207
	ანოტაცია				
	ნაშრომში შესწავლილია მეორადი ალუმინისაგან ალუმინის იზოპროპილატის, ნიტრატისა და ალუმინის ფხვნილის მიღება და მათი შემდგომი ტრანსფორმაცია α-Al_2O_3-ში. ნაჩვენებია ალუმინის ოქსოჰიდროქსიდების დაბალტემპერატურული ტრანსფორმაციის შესაძლებლობა α-Al_2O_3-ში მცირე რაოდენობით იშვიათმიწათა ელემენტების ნაერთების (ასევე სხვა დოპანტების) თანაობისას. α-Al_2O_3-ის დაბალტემპერატურული სინთეზი				

	ენერგოდამზოგავი პროცესია და ფრიად აქტუალურია კორუნდის კერამიკის წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფისათვის.				
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური,	ჟურნალის დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
7	Tsiuri M. Ramishvili*[a], Vladimer G. Tsitsishvili*[a], Nino G. Kokiashvili[b], Vakhtang M.Gabunya[a], Natia M. Inanashvili[c]	Acid forms of natural zeolites-clinoptilolite and heulandite, eco-friendly catalysts for synthesis of aspirin by solvent-free esterification კლინოპტილოლიტის და ჰეილანდიტის მჟავური ფორმები – ესტერიფიკაციის ეკოლოგიური კატალიზატორები ასპირინის უგამხსნელოდ სინთეზში	Green Chemistry	RSC Thomas Graham House, Cambridge, UK	25
	ანოტაცია				
	შესწავლილია სალიცილის მჟავის ძმარმჟავას ანჰიდრიდით ესტერიფიკაცია ასპირინში მჟავით მოდიფიცირებულ საქართველოს ბუნებრივ ცეოლითურ კატალიზატორებზე: კლინოპტილოლიტზე (CL) ძეგვის საბადოდან და ჰეილანდიტებზე – HEU და მონომინერალურ ჰეილანდიტზე HEU-M – ახალციხის საბადოდან; გრავიმეტრული, UV- და FTIR-სპექტროსკოპული და მჟავურობის განსაზღვრის ინდიკატორული მეთოდებით ნაჩვენებია, რომ ასპირინის გამოსავლიანობა კატალიზატორების ძლიერი მჟავური ცენტრების რაოდენობის სიმბატურად იცვლება რიგში: H-CL (Si /Al = 10.36)> H-HEU (Si /Al = 5.35) ≥ H-HEU-M (Si /Al = 4.11); ასპირინის საუკეთესო გამოსავლიანობა (92.2%) მიიღება კატალიზატორზე H-CL (Si /Al = 10.36) 80 ^{0}C –ზე; ჰეილანდიტებზე ეს სიდიდე არის დაახლოებით 75%. აღნიშნულ მწვანე კატალიზატორებს თავისი სიიაფის, მაღალი აქტიურობის, რეციკლურობის შესაძლებლობის გამო სრულიად შეუძლია ჩაანაცვლოს საწარმოო ჰომოგენური, გარემოსთვის უაღრესად მავნე კატალიზატორები: H_2SO_4, H3PO4 და ადრე, უცხოელ მეცნიერთა მიერ მოწოდებული სინთეზური ცეოლითური, ოქსიდური და სხვა კატალიზატორები			

სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	გ. ბოკუჩავა, თ. კუჭუხიძე, ნ. ჯალაღონია, ე. სანაია, რ. ჭედია	სხვადასხვა ტიპის კომპოზიციური მასალების მიღება მაღალტემპერატურულ ვაკუუმურ ღუმელში (Obtaining of Different Types of Composite Materials by High Temperature Vacuum Furnace (OXY-GON)")	20-24 აპრილი, 2015წ, თბილისი, საქართველო
	მოხსენების ანოტაცია		

<table>
<tr><td></td><td colspan="3">ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ნანოტექნოლოგიების გამოყენებას, ნანოფხვნილებისა და ნანოსტრუქტურული მასალების მიღებას. ფხვნილოვანი კომპოზიტების კონსოლიდაცია მაღალი წნევის ქვეშ საშუალებას იძლევა მივიღოთ თეორიული სიმკვრივის მქონე მასალები. დამუშავებული იქნა ოქსიდური და არაოქსიდური ნაერთებიდან (Al_2O_3-MgO, Al_2O_3-ZrO_2-Y_2O_3, Al_2O_3-ZrO_2-MgO, Al_2O_3-SiC, MgB_2, MgB_2-B_4C, MgB_2- SiC, WC-Co, TiC-Ni, Mo_2C-Co) სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების მქონე მასალების მიღების ტექნოლოგია მაღალტემპერატურულ ვაკუუმური ღუმელის (OXY-GON) გამოყენებით.</td></tr>
<tr><td>№</td><td>მომხსენებელი/
მომხსენებლები</td><td>მოხსენების სათაური</td><td>ფორუმის ჩატარების
დრო და ადგილი</td></tr>
<tr><td rowspan="3">2</td><td><u>ნ. ჯალაღონია</u>,
თ. კუჭუხიძე,
თ. ქორქია,
ქ. სარაჯიშვილი,
გ. ქვარცხავა,
რ. ჭედია</td><td>ორგანული–არაორგანული კომპოზიტები ნანო ნულვა ლენტიანი რკინის ბაზაზე (Organic-inorganic Composites Based on Nano Zero-valent Iron)</td><td>-4 ივლისი, 2015წ,
ბათუმი, საქართველო</td></tr>
<tr><td colspan="3">მოხსენების ანოტაცია</td></tr>
<tr><td colspan="3">ნაშრომში წარმოდგენილია ნანო ნულვალენტიანი რკინის იმობილიზაციის მეთოდები ისეთ ბიოპოლიმერებში, როგორიცაა, კარბოქსილმეთილცელულოზა, დიეთილამინოეთილ-ცელულოზა, კრისტალური ცელულოზა და სხვადასხვა მეცანრეების მერქნები. იმობილიზებული Fe^{+3} და Fe^{+2} იონები აღდგენილ იქნა ქიმიური რეაგნეტებისა (ნატრიუმის ბორჰიდრიდი) და მეცნარეული ექსტრაქტების გამოყენებით.</td></tr>
<tr><td>№</td><td>მომხსენებელი/
მომხსენებლები</td><td>მოხსენების სათაური</td><td>ფორუმის ჩატარების
დრო და ადგილი</td></tr>
<tr><td rowspan="3">3</td><td><u>თ. კუჭუხიძე</u>,
ნ. ჯალაღონია,
თ. არჩუაძე,
გ. ქვარცახავა,
რ. ჭედია</td><td>კორუნდის კერამიკის მიღების ზოგიერთი საკითხები (Some Issues of Obtaining corundum Ceramics)</td><td>1-4 ივლისი, 2015წ,
ბათუმი, საქართველო</td></tr>
<tr><td colspan="3">მოხსენების ანოტაცია</td></tr>
<tr><td colspan="3">ულტრადისპერსული ფხვნილების, პოლივინილის სპირტის, პოლიეთილენგლიკოლის (PEG 600-15000), მოდიფიცირებული პოლიაკრილის მჟავის (Sokalan-10), ოლეინის მჟავის და სხვათა გამოყენებით მიღებულ იქნა α-Al_2O_3–ის მდგრადი სუსპენზია. ცივად დაწნეხვის მეთოდით დამზადებულ იქნა კერამიკული კომპოზიტი. შესწავლილ იქნა მისი ფიზიკურ–მექანიკური მახასიათებლები.</td></tr>
<tr><td>№</td><td>მომხსენებელი/
მომხსენებლები</td><td>მოხსენების სათაური</td><td>ფორუმის ჩატარების
დრო და ადგილი</td></tr>
<tr><td rowspan="3">4</td><td><u>ნ. ჯალაღონია,</u>
თ. კუჭუხიძე,
მ. ქადარია,
ე. სანაია,
ი. ჯინიყაშვილი,
რ. ჭედია</td><td>ალუმინორგანული ნაერთე-ბით მოდიფიცირებული გრაფენის შემცველი ფხვნი-ლოვანი კომპოზიტები (Powdery Composites Containing of Graphene Modified Alumoorganic Compouds)</td><td>16-18 ივლისი, 2015წ,
თბილისი, საქართველო</td></tr>
<tr><td colspan="3">მოხსენების ანოტაცია</td></tr>
<tr><td colspan="3">ულტრადისპერსული α-Al_2O_3 მიღებულ იქნა ალუმინის ფხვნილის სონირებით 80^0C–ზე ტუტე არეში და წარმოქმნილი გელის შემდგომი გამოწვით 800-1200^0C–ზე. ჰამერის</td></tr>
</table>

	მეთოდით მიღებული გრაფენის ოქსიდისა და α-Al_2O_3 გამოყენებით დამზადებულ იქნა შემდეგი დასაწნეხი ფხვნილოვანი კომპოზიტები [გრაფენი]–O-AlR–O-[Al_2O_3] და [Al_2O_3]-O-AlR–O-[გრაფენი]–O-AlR–O-[Al_2O_3].		
№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
5	თ. კუჭუხიძე, ზ. ფაჩულია, ნ. ჯალაღონია, გ. ქვარცხავა, ო. ლეკაშვილი, <u>რ. ჭედია</u>	ფხვნილოვანი კომპოზიტები მატრიცული კომპოზიტებისათვის Powdery Composites for Matrix Ceramics	21-23 ოქტომბერი, 2015წ, თბილისი, საქართველო
	მოხსენების ანოტაცია		
	მოცემულ ნაშრომში შესწავლილია ოქსიდური მატრიცული (Al_2O_3, ZrO_2) ფხვნილოვანი კომპოზიტების მიღება, რომლებიც შეიცავენ სხვადასხვა ტიპის გამაძლიერებელ კომპონენტებს, როგორცაა ოქსიდები, კარბიდები, ოქსინიტრიდები და სხვ. ფხვნილოვანი კომპოზიტების მისაღებად გამოყენებულ იქნა ზოლ–გელ მეთოდი, თვითგანვითარებადი ჟანგვა–აღდგენის, კომპონენტების ერთდროული სინთეზისა და მექანოქიმიური მეთოდები. მიღებულია გრაფენის ოქსიდის (0.5–2%) შემცველი დასაწნეხი ფხვნილოვანი კომპოზიტები ალუმინის ოქსიდის ფუძეზე. შესწავლილია ალუმინის მეტასტაბილური ოქსოჰიდროქსიდების დაბალტემპერატურული ტრანსფორმაცია სხვადასხვა დოპანტებისა და გამაძლიერებელი კომპონენტების თანაობისას.		
№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
6	<u>ე. სანაია,</u> გ. ბოკუჩავა, რ. ჭედია	მაგნიუმის დიბორიდის სინთეზი და კონსოლიდაცია Synthesis and Consolidation of Superconductor Magnesium Diboride	21-23 ოქტომბერი, 2015წ, თბილისი, საქართველო
	მოხსენების ანოტაცია		
	ზეგამტარი მაგნიუმის ბორიდის მასიური ნიმუშები 50-52 მმ დიამეტრით მიღებულ იქნა მაგნიუმისა და ამორფული ბორის ფხვნილების ურთიერთქმედებით ინდუქციურ ღუმელში ცხელი დაწნეხვისა და ნაპერწკლოვანი-პლაზმური სინთეზის მეთოდით ტემპერატურის თანდათანობით მომატებით 1050^{0}C-მდე. დიდი დიამეტრის ნიმუშების მიღება დაკავშირებულია მთელ რიგ პრობლემებთან: იზრდება ფორიანობა, მიღებული ნიმუშების 40-45%-ში წარმოიქმნება მაკრობზარები და ზოგ შემთხვევაში იმსხვრევა. ოპტიმალური ნიმუშები მიღებულ იქნა ინდუქციურ ღუმელში, როდესაც სინთეზისა და კონსოლიდაციის ტემპერატურა 1050^{0}C აღწევს (80-85 წთ), ხოლო წნევა 5 ტონაა. ნიმუშების ზეგამტარული გადასვლის ტემპერატურა (Tc) 38.5- 39K აღწევს.		
№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
7	ა. გაჩეჩილაძე, ბ. მარგიევი, რ. ჭედია, ა. ოკლეი, ლ. ჩხარტიშვილი, ო. ცაგარეიშვილი	ახალი ნანოშენადნობები ფოლადის მოდიფიცირებისათვის New nanoalloys for modifying the steel	20-24 აპრილი, 2015წ., თბილისი, საქართველო
	მოხსენების ანოტაცია		

	დამუშავებულია ფხვნილოვანი ნანოლიგატურების მიღების მეთოდები, რომლებიც შეიცავენ 56-82% მას. Fe, 9-10% Co (Ni, Mo) და 9-11% Al_2O_3. რენდგენოფაზური ანალიზით დადგენილია რომ ფხვნილთა ნაწილაკის ზომები 30-90 ნმ-ის ფარგლებშია და კომპონენტები თანაბრადაა გადანაწილებული ლიგატების მასაში.		
№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
8	რ. ჭედია, თ. კუჭუხიძე, გ. ბოკუჩავა, ა. ხვადაგიანი, ვ. გაბუნია, ნ. ჯალაღონია	ალუმინის ოქსიდის ბაზაზე მატრიცული კომპოზიტური კერამიკების მიღება და კვლევა	საერთაშორისო კონფერენცია თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მასალებზე (ICAMT), 21-23 ოქტომბერი, 2015, თბილისი
	მოხსენების ანოტაცია		
	ნაშრომში შესწავლილია ალუმინის ოქსიდის ფხვნილოვანი კომპოზიტების ფუძეზე სხვადასხვა შემადგენლობის მატრიცული კერამიკული კომპოზიტების მიღება მაღალტემპერა ტურული ცხელი წნეხვის მეთოდით მიღებულ იქნა შემდეგი კერამიკული კომპოზიტები α-Al2O3-Y2O3-ZrO2, α-Al2O3-SiC-MgO, α-Al2O3-B4C-Y2O3, α-Al2O3-WC-MxOy (სადაც M არის იშვიათმიწათა მეტალები). მატრიცული კერამიკული კომპოზიტები მიღებულ იქნა მაღალტემპერატურულ ვაკუუმურ ღუმელში სხვადასხვა ტემპერატურასა და წნევაზე. მიღებული კერამიკებს არ გააჩნიათ ღია ფორები, ხოლო მათი ფარდობითი სიმკვრივე თეორიულის 99.5 % აღწევს.		
№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
9	ნ. დოლაბერიძე, ვ. ციციშვილი, მ. ნიჟარაძე, ნ. მირძველი, ნ. ხაზარაძე, ნ.კლარჯეიშვილი	ბაქტერიციდული ცეოლითური ნანომასალების მომზადების ტექნოლოგია	კონფერენცია “ფუნქციონალური დანიშნულების კვების პროდუქტების წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიები” აპრილი, ქუთაისი 2015 წ.
	მოხსენების ანოტაცია		
	განხილულია სამედიცინო პრეპარატის აქტიური კომპონენტის, მაღალი სისუფთავის წვრილდისპერსული ცეოლითური სორბენტის მომზადების ტექნოლოგია. მსგავსი ცეოლითური სორბენტი შექმნილია საქართველოს ბუნებრივი ფილიპსიტშემცველი ქანის ქიმიური მოდიფიცირების გზით და ითვალისწინებს ცეოლითის სორბციულ-დეტოქსიკაციური და ლითონის კატიონის (*Zn2+)* ანტიბაქტერიული და ანტივირუსული თვისებების შერწყმას. ნანოგანზომილებიანი ცეოლითური კრისტალების მიღების აღნიშნული მეთოდის გამოყენების სფეროდ რეკომენდებულია ფარმაკოქიმიური წარმოება.		
№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
10	ნ. დოლაბერიძე, ვ. ციციშვილი ნ. მირძველი, მ. ნიჟარაძე, ნ. ხაზარაძე, ზ. ამირიძე.	კვების პროდუქტების შესაფუთი ქაღალდის ცეოლითური შემავსებელი	კონფერენცია “ფუნქციონალური დანიშნულების კვების პროდუქტების წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიები” აპრილი, ქუთაისი 2015 წ
	მოხსენების ანოტაცია		
	შემუშავებულია ბუნებრივი კლინოპტილოლიტის პირდაპირი ქიმიური მოდიფიცირების მექანიზმი, დადგენილია მჟავით დამუშავების ოპტიმალური პირობები და შექმნილია მაღალსილიციუმშემცველი ცეოლითური შემავსებლის მომზადების მოდელი. მიღებულია სხვადასხვა სორბატის მიმართ მაღალშთანთქმითუნარიანი,		

	მათეთრებელი თვისებების მატარებელი ცეოლითური შემავსებელი (მიკროფორებითა და გარდამავალი ფორებით),რომლის გამოყენებაც რეკომენდებულია კვების პროდუქტების შესაფუთი ქაღალდის წარმოებისთვის.		
№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
11	ნ. ჯალაღონია, ც. რამიშვილი, ი. ჯინიყაშვილი, ქ. სარაჯიშვილი, თ. ქორქია, ზ. ამირიძე, რ. ჭედია.	მერქნის გაჟღენთვა რკინის (II, III) ნაერთებით და მათი აღდგენა ნანო ნულვალენტიან რკინამდე	International Conference on Advanced Materials and Technologies (ICAMT), 21-23 October, 2015, Tbilisi, Georgia.
	მოხსენების ანოტაცია		
	ნაშრომში დამუშავებულია მერქნის ნანონულვალენტიანი რკინით (ნნვრ) გაჟღენთვის მეთოდი. ამ მიზნით მერქნის ნიმუშები დამუშავებულ იქნა 20–30 % რკინის (II, III) ნაერთებით 8–48 სთ–ის განმავლობაში. დადგენილია, რომ რკინის იონებით უფრო სწრაფად იჟღინთება წიწვოვანი მცენარეების მერქნით, ვიდრე ფოთლოვანი ხის მერქანი. მერქანში რკინის იონების გავრცელების (შეღწევის) სიღრმე განსაზღვრულ იქნა Fe+2 და Fe+3 იონების აღმომჩენი რეაგენტების გამოყენებით (K4[Fe(CN)6], K3[Fe(CN)6]), NH4SCN). რკინის იონების აღდგენა ნნვრ–მდე განხორციელდა ნატრიუმის ბორჰიდრიდის განზავებული წყალხსნარებით რის შედეგადაც მიღებულია (1–3%) ნნვრ შემცველი ორგანულ–არაორგანული სორბენტები, რომლებიც აქტიურად შთანთქავს როგორც მძიმე მეტალებს, ასევე ადვილად შლის წყალში არსებულ ქლორორგანულ ნაერთებს.		
№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
12	ნ. ჯალაღონია, ც. რამიშვილი, ი. ჯინიყაშვილი, ზ. ამირიძე, რ. ჭედია	ნანო ნულვალენტიანი რკინით გაჟღენთილი ბიო-პოლიმერების საფუძველზე წყლის გამწმენდი სისტემების შექმნა. .	მეცნიერების და ინოვაციების საერთაშორისო კვირეული - საქართველო, 2015, 1-10 ნოემბერი, თბილისი.
	მოხსენების ანოტაცია		
	GC/MS მეთოდით ნაჩვენებია, რომ ნანონულვალენტიანი რკინით გაჟღენთილი ბიოპოლიმერები (ნახერხი, მერქნის გადამუშავების ნარჩენები, მარცვლეული კულტურების ნარჩენები) ეფექტურად შთანთქავს წყლის დამაბინძურებელ ქლორორგანულ ნაერთებს: 2,6 დიქლორანილინს და 1,4 დიქლორბენზოლს, რომელთა კონცენტრაციაა 50 მგ/ლ		

2) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ი. რუბაშვილი, ლ. ეპრიკაშვილი, თ. კორძახია, მ. ზაუტაშვილი, ნ. ფირცხალავა, მ. ძაგანია	მურა ნახშირისა და ბუნებრივი ცეოლითის საფუძველზე შექმნილი კომპოზიტების გამოყენება ბიოსასუქის სახით მემცენარეობაში	მე-5 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “საბუნებისმეტყველო გამოყენებითი მეცნიერებები 2015”, 30სექტემბერი-2ოქტომბერი, ტრნავა, სლოვაკეთი, 2015, გვ.39-40.
	მოხსენების ანოტაცია		

	მიღებული შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ ნიადაგის გამდიდრება ცეოლითით მურა ნახშირთან ერთად მნიშვნელოვნად ზრდის მარცვლოვანი კულტურების აღმოცენებასა და განვითარებას. მოცემული სამუშაო მოსინჯვითი ხასიათისაა, ხოლო წარმოდგენილი შედეგები საველე პირობებში გადამოწმებასა და შემოთავაზებული სუბსტრატების დეტალურ აგროქიმიურ კვლევას მოითხოვს.		
№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
2	<u>ი. რუბაშვილი,</u> თ. კორძახია, ლ. ეპრიკაშვილი	თამბაქოს გამონაბოლქვში N-ნიტროზოდიმეთილამინის განსაზღვრა და ბუნებრივი ცეოლითის საშუალებით მისი მოცილების შესაძლებლობა	მე-5 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "საბუნებისმეტყველო გამოყენებითი მეცნიერებები 2015", 30სექტემბერი-2ოქტომბერი, ტრნავა, სლოვაკეთი, 2015, გვ.67.
	მოხსენების ანოტაცია		
	მიღებული შედეგებიდან ჩანს, რომ მორდენიტის მიდიფიცირებული H-ფორმის ადსორბციის უნარი უკეთესია, ვიდრე კლინოპტილოლიტის H-ფორმისა, კერძოდ, მორდენიტის H-ფორმა თამბაქოს გამონაბოლქვში N-ნიტროზამინის შემცველობას ამცირებს 74%-ით, ხოლო კლინოპტილოლიტის H-ფორმა კი 63%-ით.		
№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
3	<u>გ. წინწკალაძე,</u> ვ. გაბუნია, ლ. ეპრიკაშვილი, ვ. ციციშვილი, თ. შარაშენიძე, მ. ბურჯანაძე	ბუნებრივი კლინოპტილოლიტის საფუძველზე შექმნილი ახალი ნანოფორო-ვანი მასალა.	მე-2 სრულიად რუსეთის საერთაშორისო კონფერენცია "ადსორბციული თეორიის, ფორიანობისა და ადსორბციის სელექტურობის აქტუალური პრობლემები", 13-17 აპრილი, კლიაზმა, რუსეთი, 2015, გვ. 90.
	მოხსენების ანოტაცია		
	თერმული ზემოქმედების გზით მიღებული ახალი ნანოფოროვანი ცეოლითური მასალები შეიძლება გამოყენებული იქნან სხვადასხვა სფეროში, მათ შორის სამშენებლო მასალების წარმოებაში.		
№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
4	<u>ი. რუბაშვილი,</u> ლ. ეპრიკაშვილი, თ. კორძახია, მ. ზაუტაშვილი, ნ. ფირცხალავა, მ. ძაგანია	ბუნებრივი მორდენიტის გამოყენების შესაძლებლობა თამბაქოს გამონაბოლქვიდან აქროლადი N-ნიტროზოამინების მოსაცილებლად.	მე-2 სრულიად რუსეთის საერთაშორისო კონფერენცია "ადსორბციული თეორიის, ფორიანობისა და ადსორბციის სელექტურობის აქტუალური პრობლემები", 13-17 აპრილი, კლიაზმა, რუსეთი, 2015, გვ.93.
	მოხსენების ანოტაცია		
	ცეოლითის ფენის გასწვრივ თამბაქოს გამონაბოლქვის გატარების შემდეგ N-ნიტროზოამინების კონცენტრაცია საშუალოდ 70%-ით მცირდება. სავარაუდოდ ეს მიმდინარეობს არა მარტო ცეოლითზე ფიზიკური ადსორბციის გამო, არამედ N-ნიტროზოამინების გარდაქმნების შედეგადაც.		
№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
	<u>თ. კუჭუხიძე,</u>	ალუმინის ოქსოჰიდროქსი-	20–21 ივლისი, 2015 წ,

5	ნ. ჯალაღონია, ზ. ფაჩულია, რ. ჭედია	დების ტრანსფორმაცია α-Al_2O_3–ში სხვადასხვა დანამატების თანაობისას (Transformation of Aluminum Oxyhydroxides in α-Al_2O_3 in Presence of Various Seeds)	პარიზი, საფრანგეთი.
	მოხსენების ანოტაცია		
	ნაშრომში შესწავლილია მეორადი ალუმინისაგან ალუმინის იზოპროპილატის, ნიტრატისა და ალუმინის ფხვნილის მიღება და მათი შემდგომი ტრანსფორმაცია α-Al_2O_3-ში. ნაჩვენებია ალუმინის ოქსოჰიდროქსიდების დაბალტემპერატურული ტრანსფორმაციის შესაძლებლობა α-Al_2O_3-ში მცირე რაოდენობით იშვიათმიწათა ელემენტების ნაერთების (ასევე სხვა დოპანტების) თანაობისას. α-Al_2O_3-ის დაბალტემპერატურული სინთეზი ენერგოდამზოგავი პროცესია და ფრიად აქტუალურია კორუნდის კერამიკის წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფისათვის.		
№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
6	<u>ნ. ჯალაღონია,</u> თ. კუჭუხიძე, გ. ქვარცხავა, ე. სანაია, რ. ჭედია	ბიოპოლიმერების იპრეგნირება ნანო ნულვალენტიანი რკინით წყლების რემედიაციისთვის (Impregnation of Zero-valent Iron in Biopolymers for Remediation of Wastewater	4-9 ოქტომბერი, 2015 წ, ანტალია, თურქეთი.
	მოხსენების ანოტაცია		
	ნაშრომში განხილულია სხვადასხვა განახლებადი ბიორესურსების გამოყენება ნანო ნულვალენტიანი რკინის (nZVI) იმპრეგნირებისთვის. nZVI იმპრეგნირება განხორციელდა ორ საფეხურად: I. Fe (II, III) ნაერთების ხსნარებით ბიომასალების გაჟღენთვა; II. ბიომასალში იმპრეგნირებული Fe (II, III) ნაერთების აღდგენა ნატრიუმის ბორჰიდრიდით. ბიომასალად გამოყენებულ იქნა ადგილობრივი მცენარეების მერქანი, ბიოპოლიმერები (ფიჭვი, თხმელა, დიეთილამინო ცელულოზა, კარბოქსიმეთილ ცელულოზა და კრისტალური ცელულოზა) და სასოფლო–სამეურნეო კულტურების ნარჩენები (ყურძნის წიფწა, ბროწეულის და ციტრუსების ქერქი, ვაზის ნასხლავი და სხვ.).		
№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
7	რ. ჭედია, თ. კუჭუხიძე, ი. ჯინიყაშვილი, თ. ქორქია, ქ. სარაჯიშვილი, <u>ნ. ჯალაღონია</u>	ალუმოორგანული ნაერთებით მოდიფიცირებული გრაფენის ოქსიდი როგორც კერამიკის გამაძლიერებელი კომპონენტი (Modified Graphene Oxide by Alumoorganic Compounds, as Enchancer Components for Ceramics)	4-9 ოქტომბერი, 2015 წ, ანტალია, თურქეთი.
	მოხსენების ანოტაცია		
	დამზადებულ იქნა დასაწნეხი ფხვნილოვანი კომპოზიტი [Al_2O_3]-O-Al-O-[გრაფენი]–COO–Al–O–[Al_2O_3]. ასეთი ტიპის კომპოზიციური ფხვნილის კონსოლიდაციისას ~400 °C ზე გრაფენის სტრუქტურის ფრაგმენტები დაფიქსირდა ალუმინის ფხვნილის ნაწილაკების		

	ზედაპირზე შედეგად მიღებულია ჰომოგენური კერამიკა. შესწავლილ იქნა მიღებული კერამიკული კომპოზიტის ფიზიკურ–მექანიკური მახასიათებლები.		
№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
8	რ. ჭედია, გ. ბოკუჩავა, თ. კუჭუხიძე, ნ. ჯალაბაძე, <u>ნ. ჯალაღონია</u>	გრაფენის სტრუქტურის შემცველი დასაწნეხი ფხვნილოვანი კომპოზიტები ალუმინის ოქსიდის ბაზაზე. (Graphene structure containing pressing powdery composites based on alumina)	25–27 ნოემბერი, 2015 წ, ბოლონა, იტალია
	მოხსენების ანოტაცია		
	გრაფენის სტრუქტურის ფრაგმენტების დაფიქსირებით ალუმინის ოქსიდის ზედაპირზე ალუმოორგანული ნაერთების გამოყენებით მიიღება ახალი ტიპის [გრაფენი–ალუმინის ოქსიდი] კომპოზიტი, სადაც 2 კომპონენტი ერთმანეთთან დაკავშირებულია C-O-Al ბმით. გრაფენის სტრუქტურის შემცველი კერაამიკის სინთეზი განხორციელდა შემდეგი სქემის შესაბამისად: ალუმინის ოქსიდი→ალუმოორგანული ნაერთებით მოდიფიცირებული ალუმინის ოქსიდი→გრაფენის ოქსიდის იმობილიზაცია მოდიფიცირებულ ალუმინის ოქსიდთან→კერამიკა.		
№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
9	<u>ლ. ნადარაია,</u> ნ. ჯალაბაძე, რ. ჭედია, ლ. ხუნდაძე	ალუმინის ოქსიდი–გრაფენის კომპოზიტების შეცხობა/სინთეზი ნაპერწკლოვან პლაზმური მეთოდით Spark plasma sintering/synthesis of alumina-graphene composites	19–20 სექტემბერი, 2015 წ, ვარშავა, პოლონეთი
	მოხსენების ანოტაცია		
	ნაპერწკლოვან პლაზმური სინთეზის მეთოდი (ნპს) გამოყენებულ იქნა ალუმინის ოქსიდის მატრიცული კერამიკების მისაღებად, რომლებიც შეიცავენ გრაფენის სტრუქტურებს (2D სტრუქტურა). შესწავლილია გრაფენის ნანოფირების გამოყენების შესაძლებლობა Al_2O_3 შეცხობის პროცესში სხვადასხვა ტემპარატურაზე, წნევაზე და შეცხობის დროზე. დადგენილია, რომ ნპს მეთოდი ეფექტურია ასევე კომპოზიციური ფხვნილების სინთეზისათვის.		
№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
10	Dolaberidze N.M., Tsitsishvili V.G., Mirdzveli N.A., Nizharadze M.O., Alelishvili M.V. დოლაბერიძე ნ., ციციშვილი ვ., მირძველი ნ., ნიჟარაძე მ., ალელიშვილი მ.	Hydrothermal Transformation Of Clinoptilolite To Obtain-Dispersed Zeolite Materials. კლინოპტილოლიტის ჰიდროთერმული გარდაქმნა წვრილდისპერსული ცეოლითური მასალების მისაღებად.	13-17 აპრილი 2015, მოსკოვი-კლიაზმა, რუსეთი.
	მოხსენების ანოტაცია		
	ჩატარებული კვლევის შედეგები იძლევა წვრილდისპერსული მიკროკრისტალური ცეოლითური მასალების – სოდალიტისა და ფილიპსიტის მიღების შესაძლებლობას		

	მდგრადი, მაღალი აღწარმადობით, გამარტივებული სქემით და ნაკლები რეაგენტების გამოყენებით - სისტემაში, კლინოპტილოლიტშემცველი ქანი – ტუტე მამინერალიზებადი ხსნარი. მიღებულ სოდალიტს დიდი თეორიული მნიშვნელობა აქვს ცეოლითების კვლევაში გამოსაყენებლად, ფილიპსიტი კი წარმოადგენს სორბენტს მოხმარების ფართო სპექტრით.

2. ორგანული სინთეზის ლაბორატორია.

ხელმძღვანელი - მთავარი მეცნიერ თანამშრომელი **მზია ციცაგი**

პერსონალური შემადგენლობა:

უფრ. მეცნ. თანამშ., ქ.მ.კ. მარიამ ჩხაიძე, ირმა ჯინიყაშვილი;
მეცნ. თანამშ., ქ.მ.დ. გიორგი კანდელაკი
მეცნ. თანამშ., ქ.მ.კ მირანდა ხაჩიძე, მანანა ბუზარიაშვილი;
ლაბორანტი: გოჩა მღებრიშვილი, ნინო გელენიძე;
ინჟინერი: ნონა შონია

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	სურნელოვანი ნივთიერებებისა, კაროტინოიდების, ფალავანოიდების და პექტინის საფეხურებრივი ექსტრაგირება (ორგანული ქიმია)	მთ. მეცნ. თანამშრომელი, ქ.მ.კ. მზია ციცაგი	მარიამ ჩხაიძე, მირანდა ხაჩიძე, მანანა ბუზარიაშვილი, ქეთევან ებრალიძე, გიორგი კანდელაკი
	გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები		
	მანდარინი და ფორთოხალი საქართველოში სოფლის მეურნეობის ერთერთი პრიორიტეტული დარგია. მათი გადამუშავების შედეგად ნარჩენის სახით რჩება კანი, რომელიც d-ლიმონენის, β-კაროტინის, ბიოფლავანოიდ ჰესპერიდინის და პექტინის მიღების პერსპექტიული წყაროა. d-ლიმონენის გამოიყენება ციტრუსის სუნის გასაძლიერებლად და როგორც გამწმენდი პროდუქტი. β-კაროტინი გამოიყენება, როგორც ბუნებრივი საკვები საღებავი. ჰესპერიდინი 3',5, 7-ტრიჰიდროქსი-4'-მეთოქსი-ფლავანონ-7-0-β-რუტინოზიდი არის ბიოფლავანოიდი– მანდარინის კანის ძირითადი აქტიური შემადგენელი. ის შეიძლება გამოყენებული იქნას ისეთი დაავადების პრევენციისთვის, როგორიცაა კაპილარების განვლადობის შემცირება. ჰესპერიდინი არეგულირებს ღვიძლის ქოლესტერინის სინთეზს 3-ჰიდროქსი-3- მეთილგლუტარილ კოენზიმ A რედუქტაზის აქტივობის ინჰიბირებით. პექტინი არის თეთრიდან მოყავისფრო ფერის ფხვნილი ან გრანულები, რომელიც არის უსუნო ან მსუბუქი არომატის მქონე, არატოქსიური, ბიოთავსებადი ბიოპოლიმერი.		

<table>
<tr><td></td><td colspan="3">პექტინი ძირითადად გამოიყენება კვების მრეწველობასა და ფარმაცევტულ წარმოებაში, როგორც შემასქეებელი, შემკვრელი, გელწარმომქმნელი და სტაბილიზატორი.
სამუშაოს ფარგლებში შემუშავდა ფორთოხლის და მანდარინის კანიდან d-ლიმონენის, β-კაროტინის, ბიოფლავანოიდ ჰესპერიდინის და პექტინის მიღებისსაფეხურებრივი ექსტრაქციის ოპტიმალური პირობები, რის საფუძველზეც დამუშავდა მანდარინისა და ფორთოხლის კანის სრული უტილიზაციის მეთოდი, რომელიც უზრუნველყოფს მიზნობრივი პროდუქტების სწრაფ, რაოდენობრივ და სელექტიურ მიღებას. მეთოდის გამოყენება შეიძლება ნებისმიერი ციტრუსის კანის გადამუშავებისთვის.
ექსტრაქციის პირველ ეტაპზე ხდება სუბკრიტიკული CO_2-ით 25-30C^0 –ზე 150 ატმ-ზე d-ლიმონენის რაოდენობრივი ექსტრაქცია. გამოსავალი 10-12%. GC-MS ანალიზმა აჩვენა, რომ ექსტრატის 98% არის d-ლიმონენი.
ექსტრაქციის მეორე ეტაპზე ხდება სუპერკრიტიკული 7/10% აცეტონით მოდიფიცირებული CO_2-ით 50 C^0 200 ატმ-ზე β-კაროტინის ექსტრაქცია.
ექსტრაქციის მესამე ეტაპზე თანაგამხსნელად გამოვიყენებული იქნა მეთანოლი. ბიოფლავანოიდ ჰესპერიდინის ექსტრაქციის ოპტიმალური ტემპერატურა 60^{0}C, წნევა 250 ატმ.
ექსტრაქციის მეოთხე ეტაპს წარმოადენს პექტინის მიღება. ჰიდროლიზის სტატიაზე დამოყენებული იქნა კლინოპტილოლიტის H ფორმა. მიღებული პექტინი გამოირჩევა მაღალი ხარისხით.
ასევე დამუშავდა ხარიშუბლადან პლატიფილინის მიღების ახალი მეთოდი სუპერკრიტიკული CO_2-ის გამოყენებით. შემუშავებული მეთოდი მნიშვნელოვნად ამარტივებს აქამდე არსებულ მეთოდს.</td></tr>
<tr><td>№</td><td>შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით</td><td>პროექტის ხელმძღვანელი</td><td>პროექტის შემსრულებლები</td></tr>
<tr><td rowspan="3">2</td><td>პიროლობენზდიოქსანებისა და პიროლოფტალაზინების სინთეზი და თვისებების კვლევა.
(ორგანული ქიმია)</td><td>უფრ.. მეცნ. თანამშრომელი, ქ.მ.კ. ი. ჯინიყაშვილი</td><td>ი.ჯინიყაშვილი</td></tr>
<tr><td colspan="3">გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები</td></tr>
<tr><td colspan="3">2015 წლის სამუშაო გეგმა ითვალისწინებდა ეთილენდიოქსიინდოლებისა და პიროლოფტალაზინების სინთეზის შესაძლო გზების ძიებასა და მათი მიღების პრეპარატული მეთოდების დამუშავებას. ახალი ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების მიზანდასახულ სინთეზს. პიროყურძნის მჟავის ეთილის ეთერის 6-ბენზდიოქსილჰიდრაზონი ჩვენს მიერ დასინთეზებულ იქნება, როგორც ინდოლების სინთეზის ფიშერის კლასიკური მეთოდის მიხედვით, ისე ამ მეთოდის ჯეპ-კლინგემანის მოდიფიკაციით. ციკლიზაციის კატალიზატორად გამოვიყენე ერთ შემთხვევაში შემლღვალი ცინკის ქლორიდი, მეორე შემთხვევაში პალადიუმის კატალიზატორი. ჩავატარეთ ციკლიზაცია და მის პარალელურად წარიმართა 1H- პიროლო[2,3- f]-1,3-ბენზდიოქსანის 2-კარბონმჟავის ეთილის ეთერის კარბეთოქსი ჯგუფის ელიმინირება ჩაუნაცვლებელი ციკლური ნაერთის მისაღებად.
ჩატარებულია პიროყურძნის მჟავის ეთილის ეთერის 6-ბენზდიოქსილჰიდრაზონისა და 4-ჰიდროქსიკუმარინის სინთეზი.
მიღებულია ფტალის ანჰიდრიდიდან 3-ნიტროფტალის მჟავა; 3-ნიტროფტალის მჟავიდან 3-ნიტროფტალის ანჰიდრიდი. მიმდინარეობს 5-ნიტროფტალაზ-1,4-დიონის აღდგენის ოპტიმალური პირობების დადგენა.
რეაქციის პროდუქტების გასუფთავება და დაყოფა განხორციელდა თხელფენოვან ქრომატოგრაფიის მეთოდით “Silufol UV-254”-ის ფირფიტებზე და სვეტურ</td></tr>
</table>

	ქრომატოგრაფიით სილიკაგელზე. სინთეზირებული ნაერთების აგებულებისა და შედგენილობების დასადგენად გადაცემულია ნიმუშები იწ, ბმრ(^{1}H, ^{13}C) და მას-სპექტრალურ ანალიზებზე.

პუბლიკაციები:

საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური,	ჟურნალის დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მ. ციცაგი, მ. ჩხაიძე, მ. ხაჩიძე, მ. ბუზარიაშვილი, ქ. ებრალიძე, ც. რამიშვილი	მანდარინის (Citrus Unshiu) კანიდან ეთერზეთების, კაროტინოიდების და ბიოფლავანოიდების თანმიმდევრული სუპერკრიტიკული ფლუიდებით ექსტრაქცია	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე ქიმიის სერია 41	თბილისი	5 (248-253)
	ანოტაცია				
	მოცემულ სამუშაოში აღწერილია ეთერზეთების, კაროტინოიდების და ბიოფლავანოიდების თანმიმდევრული საფეხურებრივი ექსტრაქცია სუპერკრიტიკული ფლუიდებით(სფე) აგროსამრეწველო ნარჩენი მასალის – მანდარინის (ციტრუსი "უნშიუ") კანიდან. ამ პროცესის პირველი ეტაპია ზეთის ექსტრაქცია სუპერკრიტიკული CO_2-ით. მანდარინის კანში ეთერზეთების ძირითადი შემადგენელი კომპონენტია d-ლიმონენი (>90%). მეორე ეტაპზე ხდება β-კაროტინის ექსტრაქცია 7%-იანი აცეტონ მოდიფიცირებული სუპერკრიტიკული CO_2-ით. მესამე ეტაპზე ექსტრაგირდება ჰესპერიდინი 5%-იანი მეთანოლ მოდიფიცირებული სუპერკრიტიკული CO_2-ით. ოპტიმალური პარამეტრების შესწავლა და განსაზღვრა უზრუნველყოფს მიზნობრივი პროდუქტების სწრაფ და სელექტიურ ექსტრაქციას. მეთოდის გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერი ციტრუსის კანის უტილიზაციისთვის.			

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური,	ჟურნალის დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2	გ. კანდელაკი, მ. ჩხაიძე, მ ციცაგი.	პლატიფილინისა და სენეციფილინის სუპერკრიტიკული CO_2–ით ექსტრაქციის შესწავლა და ოპტიმიზაცია	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე ქიმიის სერია 41	თბილისი	3(188-190)
	ანოტაცია				
	ხარიშუბლა (Seneeio platyphylloindes Somm. Et hev) ველურად ზრდადი მრავალწლოვანი მცენარეა, რომელიც ფართოდაა გავრცელებული კავკასიის მაღალმთიანეთში და იზრდება ტყის ზედა და სუბალპურ ზონაში. ხარიშუბლა კავკასიის ენდემური ჯიშია და კარგადაა განვითარებული ზღვის დონიდან 1500-2500 მ სიმაღლემდე. ხარიშუბლას როგორც მიწისზედა, ისე მიწისქვეშა ნაწილები შეიცავს ისეთ ბუნებრივ ალკალოიდებს,				

	როგორიცაა პლატიფილინი და სენეციფილინი. მცენარე ალკალოიდებს შეიცავს, როგორც ფუძოვანი, ასევე N-ოქსიდური ფორმით. მედიცინაში გამოიყენება პლატიფილინის ფუძოვანი ფორმა ჰიდროტარტრატის სახით, როგორც სპაზმატოლოგიური საშუალება, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, კოლიტის, ღვიძლისა და თირკმელების ჩხვლეტის და ქოლეცისტიტის დროს.				
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური,	ჟურნალის დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
3	მ. ციცაგი, მ. ჩხაიძე, გ. ბალარჯიშვილი, მ. ხაჩიძე, მ. ბუზარიაშვილი, ქ. ებრალიძე	პექტინის ექსტრაქცია მანდარინის კანიდან	პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის შრომები 2015 წ	თბილისი	86-90
	ანოტაცია				
	წარმოდგენილ სტატიაში განხილულია მანდარინის კანი, როგორც პექტინის მიღების პოტენციური წყარო. დაფქვილი მანდარინის კანიდან ეთერზეთების, β-კაროტინის და ჰესპერიდინის სუპერკრიტიკული ფლუიდებით ექსტრაქციის შემდეგ ექსტრაგირდა პექტინი კლინოფტილოლიტის H-ფორმის გამოყენებით. ექსტრაქციის პირობებია: T-80^0 pH- 1,5-2, ექსტრაქციის დრო -1სთ. გამოსავალი 69,3%, ექსტრაგირებული პექტინის ექვივალენტური მასა – 760, მეთოქსილის შემცველობა -6,5%, ანჰიდროურონ მჟავას მთლიანი შემცველობა – 78%, ესტერიფიკაციის ხარისხი – 47,3%. მიღებული შედეგების მიხედვით მანდარინის კანი სხვა ციტრუსებთან ერთად შეიძლება მოიაზრებოდეს როგორც ნედლეული პექტინის კომერციული წარმოებისათვის.				
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური,	ჟურნალის დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
4	ვ.ციციშვილი, ე. ქემეტელიძე, მ. ლანია, ვ. ვაჩნაძე	შიდამოლეკულური მოძრაობა ბიოლოგიურად აქტიურ ნაერთებში	პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის შრომები 2015 წ	თბილისი	165-172
	ანოტაცია				
	მცენარეული ნედლეულიდან მიღებულ ბიოლოგიურად აქტიურ ნაერთებში შიდამოლეკულური მოძრაობის შესწავლის მიზნითგამოყენებული იყო ^1H და ^3C ბირთვილ მაგნიტური რელაქსაციის მეთოდები. გამომჟღავნებულია დამუხრუჭებული ბრუნვის ეფექტები აზოტის, ჟანგბადის და sp^2-ნახშირორბადის ატომებთან მიერთებული მეთილის ჯგუფებისათვის, განხილულია ამ ეფექტების გამომწვევი ელექტრონული (აკუამინი) და სივრცითი ფაქტორები. მიღებული ექსპერიმენტული მონაცემების თანახმად, ფლავონებში შესაძლებელია შესაძლებელია B ციკლის თავისუფალი ბრუნვა, რომლის ღერძი განლაგებულია AC ციკლის სიბრტყეზე; ფლავონებში ციკლის თავისუფალი ბრუნვის გარდა შესაძლებელია სწრაფი კონფორმაციული გადასვლები ციკლში C; მიკროწამების მასშტაბში ფლავონილები წარმოადგენენ ხისტ არაბრტყელ სივრცულ მოლეკულებს, და არასიმეტრიულად ჩანაცვლებული B ციკლის მქონე ნაერტებისათვის გამოვლენილია სივრცული იზომერიის ახალი ტიპი				
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური,	ჟურნალის	გამოცემის	გვერდების

			დასახელება და ნომერი	ადგილი, გამომცემლობა	რაოდენობა
5	თ. კუჭუხიძე, ნ. ჯალაღონია, მ. მუმლაძე, ი. ჯინიყაშვილი, თ. ქორქია, ვ.გაბუნია, რ.ჭედია.	α–Al_2O_3-ის ფხვნილების მიღება მეორადი ალუმინისაგან.	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია ტ.41, №3	თბილისი	279-287
	ანოტაცია				
	ნაშრომში შესწავლილია მეორადი ალუმინისაგან ალუმინის იზოპროპილატის, ნიტრატისა და ალუმინის ფხვნილის მიღება და მათი შემდგომი ტრანსფორმაცია α–Al_2O_3-ში. ნაჩვენებია ალუმინის ოქსოჰიდროქსიდების დაბალტემპერატურული ტრანსფორმაციის შესაძლებლობა α–Al_2O_3- ში მცირე რაოდენობით იშვიათმიწათა ელემენტების ნაერთების (ასევე სხვა დოპანტების) თანაობისას. α–Al_2O_3-ის დაბალტემპერატურული სინთეზი ენერგოდამზოგავი პროცესია და ფრიად აქტუალურია კორუნდის კერამიკის წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფისათვის.				

ინტელექტუალური საკუთრება

№	ავტორი/ ავტორები	პატენტის დასახელება	პატენტის გამცემი ორგანიზაცია	პატენტის სარეგისტრაციო ნომერი	პატენტის გაცემის წელი
1	ქ. ებრალიძე, მ. ციცაგი, მ. ჩხაიძე, ბ. არზიანი, მ.ბუზარიაშვილი	კვერცეტინის მიღების ხერხი	საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი	U 1871	2015.

სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნ. ჯალაღონია, თ. კუჭუხიძე, მ. ქადარია, ე. სანაია, ი. ჯინიყაშვილი, რ. ჭედია	ალუმინორგანული ნაერთებით მოდიფიცირებული გრაფენის შემცველი ფხვნილოვანი კომპოზიტები	16-18 ივლისი, 2015წ, თბილისი, საქართველო
	მოხსენების ანოტაცია		
	ულტრადისპერსული - ლ2 3 მიღებულ იქნა ალუმინის ფხვნილის სონირებით 800ჩ–ზე ტუტე არეში და წარმოქმნილი გელის შემდგომი გამოწვით 800-12000ჩ–ზე. ჰამერის მეთოდით მიღებული გრაფენის ოქსიდისა და - ლ2 3 გამოყენებით დამზადებულ იქნა შემდეგი დასაწნეხი ფხვნილოვანი კომპოზიტები [გრაფენი]–O-AlR–O-[Al_2O_3] და [Al2O3]-O-AlR–O-[გრაფენი]–O-AlR–O-[Al_2O_3].		
№	მომხსენებელი/	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების

	მომხსენებლები		დრო და ადგილი
2	ნ. ჯალაღონია, ც. რამიშვილი, ი ჯინიყაშვილი, ქ. სარაჯიშვილი, თ. ქორქია, ზ. ამირიძე, რ. ჭედია	ნულვალენტიანი ნანორკინის იმობილიზაცია ბიომასალებში	20-24 ოქტომბერი, 2014წ, თბილისი, საქართველო
	მოხსენების ანოტაცია		
	ნაშრომში დამუშავებულია მერქანში ნანონულვალენტიანი რკინა (ნნვრ) იმ პრეგირების მეთოდი. ამ მიზნით მერქნის ნიმუშების დამუშავებულ იქნა 20–30 % რკინის (II, III) ნაერთებით 8–48 სთ–ის განმავლობაში. დადგენილია, რომ რკინის იონებით უფრო სწრაფად იჟღინთება წიწვოვანი მცენარეების მერ ქანი, ვიდრე ფოთლოვანი ხის მერქანი. მერქანში რკინის იონების გავ რცე ლე ბის (შეღწევის) სიღრმე განსაზღვრულ იქნა Fe^{+2} და Fe^{+3} იონების აღმომ ჩე ნი რეაგენტების გამოყენებით ($K_4[Fe(CN)_6]$, $K_3[Fe(CN)_6]$), NH_4SCN). რკინის იონ ების აღდგენა ნნვრ–მდე განხორციელდა ნატრიუმის ბორჰიდრიდის გან ზა ვე ბული წყალხსნარებით რის შედეგად მიღებულია (1–3%) ნნვრ შემცველი ორგანულ–არაორგანული სორბენტები, რომლებიც აქტიურად შთანთქავენ რო გორც მძიმე მეტალებს, ასევე ადვილად შლიან წყალში არსებულ ქლორ ორგანულ ნაერთებს.		

უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	რ. ჭედია, თ. კუჭუხიძე, ი. ჯინიყაშვილი, თ. ქორქია, ქ. სარაჯიშვილი, ნ.ჯალაღონია R. Chedia, T. Kuchukhidze, I. Jinikhashvili, T. Korkia, Q. Sarajishvili, N. Jalagonia	ალუმოორგანული ნაერთებით მოდიფიცირებული გრაფენის ოქსიდი როგორც კერამიკის გამაძლიერებელი კომპონენტი (Modified Graphene Oxide by Alumoorganic Compounds, as Enchancer Components for Ceramics)	4-9 ოქტომბერი, 2015 წ, ანტალია, თურქეთი.
	მოხსენების ანოტაცია		
	დამზადებულ იქნა დასაწნეხი ფხვნილოვანი კომპოზიტი $[Al_2O_3]$-O-Al-O-[გრაფენი]–COO–Al–O–$[Al_2O_3]$. ასეთი ტიპის კომპოზიციური ფხვნილის კონსოლიდაციისას ~400 °C ზე გრაფენის სტრუქტურის ფრაგმენტები დაფიქსირდა ალუმინის ფხვნილის ნაწილაკების ზედაპირზე შედეგად მიღებულია ჰომოგენური კერამიკა. შესწავლილ იქნა მიღებული კერამიკული კომპოზიტის ფიზიკურ–მექანიკური მახასიათებლები.		

3. ქიმიური ეკოლოგიის პრობლემათა ლაბორატორია

ხელმძღვანელი - მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, ქიმ. მეცნ. კანდიდატი ირმა მიქაძე,

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა

მთავარი მეცნ. თანამშ.: ქიმ.მეცნ.დოქ. ავთანდილ დოლიძე, ტექ.მეცნ.კანდ. ომარ ლომთაძე.
უფრ. მეცნ. თან.: ტექ.მეცნ.კანდ. თეიმურაზ უჩანეიშვილი, ქიმ.მეცნ.კანდ. ლეილა ტატიაშვილი, ქიმ.მეცნ.კანდ. გულნარა ბალარჯიშვილი, ქიმ.მეცნ.კანდ. ლიპარიტ დოლიძე, ქიმ.მეცნ.კანდ. ნინო ქავთარაძე, ქიმ.მეცნ.კანდ. დალი იოსელიანი, ქიმ.მეცნ.კანდ. როინ ჭედია, რუსუდან ცისკარიშვილი
მეცნ. თანამშ., ქიმ.მეცნ.კანდ: ნელი ყალაბეგაშვილი, ლიანა სამხარაძე, ნინო ნონიკაშვილი, ნათია ბარბაქაძე, მაია სტეფანიშვილი, ნინო ქარქაშაძე, ქეთევან ქოჩიაშვილი, ნანა წეროძე, ქეთევან სარაჯიშვილი
მეცნ. თანამშ., აკად. დოქტორი რუსუდან ურიდია
მეცნ. თანამშ.: თამარ ქორქია, თამარ დგებუაძე, მაია ჯაფარიძე, ნუნუ შალვაშვილი.
ლაბორანტი: ირმა გიგოლაშვილი;
ინჟინერი: პაატა ბალხამიშვილი, ნინო ლომთაძე, მარიამ ლომიძე.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	გარემოზე მავნე ზეგავლენის შემცირების მეთოდების შემუშავება ქიმიური ეკოლოგიის მიდგომების გამოყენებით, მათი გამოცდა და შეფასება. (ქიმიური ეკოლოგია)	მთ. მეცნ. თანამშრომელი, ქ.მ.კ. ი. მიქაძე	დ. იოსელიანი, გ.ბალარჯიშვილი; ლ. ტატიაშვილი , მ. სტეფანიშვილი, ნ. ყალაბეგაშვილი, ლ.სამხარაძე, ნ ქარქაშაძე, მ. ჯაფარიძე
	გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები		
	ჩატარებულია სამუშაოები სხვადასხვა ტიპის ნიადაგიდან და ტორფიდან ფულვომჟავების გამოყოფის მიზნით. შერჩეულია ოპტიმალური პირობები აღნიშნული ნაერთის მისაღებად მაქსიმალური გამოსავლით. გამოკვლეულია ექსტრაქტის შემადგენლობა და შემუშავებულია მისი გასუფთავების მეთოდიკა, რაც ფულვომჟავების საფუძველზე თხევადი სასუქების რაციონალური გამოყენების საშუალებას იძლევა. დაბინძურებული ტერიტორიების მონიტორინგის ჩატარების შედეგად დადგინდა ძლიერდაბინძურებელი ადგილები. მიღებული შედეგების გათვალისწინებით ჩატარდა გამოვლენილი დაბინძურების ნიადაგში ფიქსირებისა და შებოჭვის ღონისძიებების გამოცდა ახალი მიკროელემენტებიანი კომ პო ზიციისა და სპილენძის, თუთიის კონცენტრა ტის, რკინის ჰიდრო ჟანგის გამოლექვის შემუ შავებული ტექნოლოგიის გამოყენებით. დაწყებულია სამუშაოები პლასტმასის და ძველი საბურავების ნარჩენების გადამუშავების არსებული ტექნოლოგიების გაუმჯობესების მიზნით.		
№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

2	ზეთოვანი სარეველა მცენარეული ნედლეულის რაციონალური ქიმიურ–ტექნოლოგიური გადამუშავება სასარგებლო პროდუქტების მიღების მიზნით (ქიმიური ეკოლოგია)	მთ. მეცნ. თანამშრომელი, ქ.მ.დ. ა. დოლიძე	ნ. ქავთარაძე, ლ. დოლიძე, რ ცისკარიშვილი, ნ. ბარბაქაძე, რ. ურიდია, ნ. ნონიკაშვი-ლი, ნ. ლომთაძე, ქ. ქოჩიაშვილი, თ.დგებუაძე
	გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები		
	სარეველა მცენარის *(Camelina sativa)* საფუძველზე მაღალხარისხოვანი პროდუქცია მიიღება. მცენარეული ბიომასიდან ზეთის გამოწურვის შემდეგ ნარჩენი მასა გამოყენებული იქნება სასარგებლო პროდუქციის მისაღებად. ამდენად, შემუშავდება უნარჩენო ტექნოლოგიის მოდელი. წიწმატა-სელი იზრდება სხვადასხვა ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში, არ არის მომთხოვნი ნიადაგების მიმართ, არ საჭიროებს პესტიციდების მასიურ გამოყენებას, გამოირჩევა მდგრადობით სიცივისა და გვალვისადმი, ასევე ადრეული დამწიფებით. ხასიათდება თესლის მაღალი მოსავალით (2.5 ტონა ჰექტარზე). მნიშვნელოვანია, რომ წიწმატა-სელის მდგრადი მოსავალის უზრუნველსაყოფად დამზადდება და გამოიცდება საველე პირობებში ეკოლოგიურად უსაფრთხო მკვებავი, ინსექტო-აკარიციდული, ფუნგიციდური და ჰერბიციდული საშუალებები, მიღებული ადგილობრივი ნედლეულის საფუძველზე ორიგინალური ტექნოლოგიის გამოყენებით. *Camelina sativa*-ს ზეთის საავიაციო ან დიზელის საწვავების კომპონენტებად მოხმარება მიღებულია მთელ მსოფლიოში. ამასთანავე, გათვლების შედეგების მიხედვით *Camelina sativa*-ს ზეთის მასიური გამოყენება საწვავად საქართველოს მცირემიწიანობის პირობებში არ არის რაციონალური. უმჯობესია შემუშავდეს კომპლექსური უნარჩენო ტექნოლოგია საკვები ზეთის (დიეტური კვება, სამედიცინო და კოსმეტიკური საშუალებები), კომბსაკვების (მეცხოველეობისა და მეფრინველეობისათვის) და საწვავი ბრიკეტების (განსაკუთრებით მთიანი რეგიონებისათვის) მისაღებად. ამგვარი მიდგომაც გამოყენებულია მსოფლიო პრაქტიკაში.		
№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
3	აქტიური სილიციუმის შემცველი პრეპარატები და საკვები დანამატები (ქიმიური ეკოლოგია)	მთავარი მეცნ. თანამშ., ტექნ.მეცნ.კანდ. ომარ ლომთაძე	თ. უჩანეიშვილი. ნ. წეროძე, ნ შალვაშვილი, ნ ლომთაძე
	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები		
	საანგარიშო პერიოდში მომზადდა სილიციუმის შემცველი პრეპარატები დიატომიტის, ბუნებრივი ცეოლითების, ამორფული SiO_2-ის და მონოსილიციუმმჟავას $Si(OH)_4$-ის გამოყენებით. გამოიცადა მოღებული პრეპარატების გავლენა მცენარეთა ზრდა-განვითარებაზე და მავნებელ დაავადებებისადმი მდგრადობს ამაღლებაზე რეალურ გარემოში. ცდები ჩატარდა გორის მუნიციპალიტეტის სოფ. სკრაში ფერმერ დ.კაკაშვილის სანერგეში ვაშლისა და ატმის ორწლიან ნერგებზე. ჩატარებელი კვლევებით გამოიკვეთა დიატომიტისა და ჰუმინური ნაერთების გამოყენებით მომზადებული პრეპარატის "Si-ჰუმატი"-ს უპირატესობა ნატრიუმის სილიკატის საფუძველზე მომზადებულ პრეპარატთან შედარებით. ჩატარებული ნერგების 5-ჯერადი ფოთლოვანი კვების შემდეგად "Si-ჰუმატი"-ს შემთხვევაში საცდელი ნერგების სიმაღლეში მატებამ საკონტროლოსთან შედარებით საშუალოდ შეადგინა 22სმ. ნატრიუმის სილიკატის საფუძველზე მომზადებულ პრეპარატის შემთხვევაში		

	სიმაღლეში მატება საშუალოდ 18 სანტიმეტრია. სილიციუმის შემცველი პრეპარატებით დამუშავების შემდეგ საცდელ ნერგებზე არ დაფიქსირდა მავნებელ დაავადების არც ერთი შემთხვევა.

საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ვაზისა და ხეხილის კომპლექსური დაცვა უსაფრთხო და ხელმისაწვდომი ადგილობრივი საშუალებებით AR/116/10-101/113; 2014-2016წწ. (ქიმიური ეკოლოგია, მცენარეთა დაცვა)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ა. დოლიძე	ო. ლომთაძე ნ. ქავთარაძე დ. კაკაშვილი
	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	საგრანტო პროექტის შესრულების პირველი წლის შედეგების მიხედვით შეტანილ იქნა გარკვეული კორექტივები ზეთოვანი ემულსიური პრაპარატის, ენტომოლოდიური წებოს, ინსექტოაკარიციდული პრეპარატ „ანტიპესტის“-ს და ფოსფატური პრეპარატ „ანტიფუნგალი“-ს რეცეპტურულ შემადგენლობაში. დაიხვეწა პრეპარატების მიღების ტექნოლოგიები და შედგენილი იქნა აღნიშნული პრეპარატების დამზადების მეთოდიკები. დიატომიტისა და ალუმოსილიკატების (კლინოპტილოლიტი, მორდენიტი და სხვ.) ურთიერთქმედებისას ტორფიდან (ფოთი, მლთაყვა) და ნახშირიდან (ტყიბულის საბადო) გამოყოფილი ჰუმინური მჟავების ფხვნილებთან (ტრიბომექანიკური დამუშავებისას) მიიღება სილიციუმით გამდიდრებული მკვებავი კომპოზიციები, რომელიც გამოიყენება, როგორც სასუქი მცენარის ფესვური კვებისთვის (განსაკუთრებით გამოზამთრებული და შესაბამისად დასუსტებული მცენარის) იმუნიტეტის ასამაღლებლად ბიოტიკური და აბიოტიკური სტრესების მიმართ. მცირე წარმოების დანადგარებზე მომზადდა კორექტირებული რეცეპტურულ შემადგენლობის მკვებავი, ინსექტო-აკარიციდული და ფუნგიციდური პრეპარატების საცდელი პარტიები რომლითაც დამუშავდა საცდელ ნაკვეთებში ცდაში არსებული ვაზები, ატმისა და ვაშლის ხეები. ჩატარებული საველე გამოცდების შედეგების თანახმად, ჩვენს მიერ შემუშავებული საცდელი პარტიის ზეთოვანი პრეპარატი და ინსექტოაკარიციდი „ანტიპესტი“ გამოირჩევიან მაღალი ეფექტურობით და შეიძლება მათი ჩართვა ვაშლის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძებათა სისტემაში. სინთეზის ახალი სქემით მოზადებული ყურძნის ჭიისა სქესის ფერომონი დატანილ იქნა სპეციალური ფოროვანი რეზინისა და მოკროფოროვანი ალუმოსილიკატებიდან მომზადებულ დისპენსერებზე. მათი გამოყენებით შესაძლებელი გახდა ყურძნის ჭიის წინააღმდეგ ქიმიური ბრძოლის (პროკლეიმი, ანტიპესტი) დაწყების ზუსტი დროის დადგენა, რამაც განაპირობა ინსექტიციდების მოქმედების მაღალი ეფექტურობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, კიდე ერთხელ დამტკიცდა ფერომონული სქესმჭერების	

	გამოყენების საჭიროება ყურძნის ჭიის წინააღმდეგ ეფექტური ქიმიური ბრძოლის განხორციელებისათვის.

პუბლიკაციები:

საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნ. ყალაბეგაშვილი, დ. იოსელიანი, გ. ბალარჯიშვილი, ლ. სამხარაძე, ი. მიქაძე, ა. დოლიძე.	სამთო-გამამდიდრებელი წარმოების სპილენძშემცველი ნარჩენების ზეგავლენა გარემოზე.	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, 2015, 41, #1-2,.	თბილისი	5 131-135
	ანოტაცია				
	მადნეულის სამთო-გადამამუშავებელ საწარმოო სპილენძშემცველი მადნის მოპოვებას აწარმოებს ღია კარიერულინ წესით, რომელსაც თან ახლავს ნიადაგის ტექნოგენური ზემოქმედება. მძიმე მეტალების ძირითადი მასა მდინარეების და ნიადაგების დაბინძურებას იწვევს, რომლებიც შემდგომ ხვდებიან საკვებში. ჩატარებული სხვადასხვა კვლევების საფუძველზე დადგინდა დაბინძურების დონე და შემუშავდა პრევენციის მეთოდები.				
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2.	ნ. ქარქაშაძე, ნ. წეროძე, ქ. ებრალიძე, ი. მიქაძე, რ. კუბლაშვილი.	პლასტმასის ნარჩენების მეორადი გადამუშავება სასრგებლო პროდუქტებად.	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია 2015, 41, #1-2,	თბილისი	4 136-139.
	ანოტაცია				
	იაპონელი, ბრიტანელი და მსოფლიოს სხვა მეცნიერთა მიერ განხილულია პლასტმასის ნარჩენებითა და ძველი ავტოსაბურავებით განპირობებული ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის მეთოდები. აღნიშნული პრობლემა მწვავედ დგას საქართველოშიც. ამიტომ აუცილებელია ნარჩენების გადამუშავების ზემოთ აღნიშნული ტექნოლოგიების დანერგვა და ინტენსიური სამეცნიერო კვლევა არსებული ტექნოლოგიების გაუმჯობესების მიზნით.				
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

3	ნ. ყალაბეგაშვილი, დ. იოსელიანი, გ.ბალარჯიშვილი, ლ.სამხარაძე, ი.მიქაძე, ა.დოლიძე.	სპილენძის შემცვე-ლი ნარჩენებით დაბინძურებული წყლის გაწმენდის ტექნოლოგიები.	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკა-დემიის მაცნე, ქიმიის სერია, 2015, ტ. 41, №3,	თბილისი	6 257-262
	ანოტაცია				
	საწარმოო სიმძლავრეების მუდმივი ზრდა და სასარგებლო წიაღისეულის ამოღების ინტენსიფიკაცია მკვეთრად აუარესებს გარემოს, რის გამოც აუცილებელია წყლის გაწმენდის ახალი ტექნოლოგიების შემუშავება – ხელოვნური გეოქიმიური ბარიერების გამოყენება ადგილობრივი ხელმისაწვდომი ნედლეულის გამოყენებით.				
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
4	ქ. ქოჩიაშვილი, რ. ცისკარიშვილი, ნ. ნონიკაშვილი, ი. მიქაძე, ა.დოლიძე.	გარემოში რადიონუკლიდების გავრცელების შეზღუდვის შესაძლებლობები.	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკა-დემიის მაცნე, ქიმიის სერია 2015, ტ. 41, №3,	თბილისი	4 275-278
	ანოტაცია				
	ატმოსფეროდან რადიონუკლიდები ილექებიან ნიადაგში და მცენარეთა ფესვთა სისტემიდან გადადიან ფოთლებსა და ნაყოფებში. ამდენად, დალექილი რადიონუკლიდები აქტიურად მონაწილეობენ ნივთიერებათა ცვლის პროცესებში და მცენარეული საკვებიდან ხვდებიან ცხოველებისა და ადამიანის სასიცოცხლო ციკლში. ეს კი რეალურად საფრთხეს უქმნის ზოგადად ეკოლოგიურ მდგომარეობას და ადამიანის ჯანმრთელობას. ამიტომ ნიადაგში რადიონუკლიდების ფიქსაცია, დეპონირება და შებოჭვა ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა.				
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
5	ა.დოლძე, ი.მიქაძე, ნ. ქავთარაძე, თ. უჩანეიშვილი, ლ.დოლიძე, ვ. ციციშვილი.	ნავთობპროდუქტე-ბით გრძელვადიანი დაბინძურების კვლევა GC/MS გამოყენებით.	პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის შრომები. 2015,	თბილისი	4 გვ.156-159;
	ანოტაცია				
	ტერიტორიების გამოყენება სამოქალაქო მიზნებისათვის პრიორიტეტულია. აუცილებელია ამ დაბინძურებული ტერიტორიების მონიტორინგი შემდგომი სამოქალაქო გამოყენების შესაძლებლობების შესაქმნელად. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე შემუშავდება რეაბილიტაციის რეკომენდაციები. ჩატარებულია აღმ. და დას. საქართველოში განლაგებული რამდენიმე აეროდრომის (კოპიტნარი, ვაზიანი) ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ადგილების კვლევა ჩ/ შ გამოყენებით. ნიადაგის ნიმუშები აღებულია 15-215 სმ სიღრმეზე. დადგენილია, რომ გრძელვადიანი დაბინძურების ადგილებში ხდება საწყისი ნავთობპროდუქტების ნაწილობრივი დეგრადაცია ნიადაგის ბიოლოგიური აგენტებით. თუმცა, ხანგრძლივი პერიოდის გასვლის შემდეგაც დაბინძურებულ ტერიტორიაზე დადგენილია ნავთობპროდუქტების ნაწილის ტრანსფორმაცია უფრო				

	სახიფათო ნარჩენებად, რის გამოც აუცილებელია სამოქალაქო გამოყენებამდე აღნიშნული ტერიტორიების წინასწარი მონიტორინგი და ნარჩენი დაბინძურების აღმოფხვრა.				
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
6	ა.დოლიძე ი. მიქაძე თ.უჩანეიშვილი ნ. ქავთარაძე ლ. დოლიძე ნ. ნონიკაშვილი	საქართველოში წიწმატა-სელის *(Camelina sativa)* ბიომასიდან საწვავის წარმოების პერსპექტივები.	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკა-დემიის მაცნე, ქიმიის სერია ტომი 40, №4	თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	3
	ანოტაცია				
	ბიოსაწვავის წარმოების განვითარების პერსპექტივა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მათ შორის ასევე ენერგიის არატრადიციული წყაროების კონკურენციაზე (მაგ. ქარი, მოქცევა, ჰელიოენერგია). დაწყებულია სამუშაოები მრავალფეროვან მცენარეულ ნარჩენებზე, რომლებიც ადრე არ გამოიყენებოდა (მაგ. სიმინდის ღეროები, ცელულოზა და სხვ.). ბიოსაწვავის გამოყენებაზე მთლიანი გადასვლა ზოგიერთ მეცნიერს არ მიაჩნია მართებულად, რადგან მათი აზრით გაიზრდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ღირებულება და პროდუქტების ფასი. წიწმატა-სელის ზეთის მრავალმხრივი გამოყენების გამო (დიეტური საკვები, საღებავები, მედიცინა, პარფიუმერია, სამკურნალო კოსმეტიკა, არომათერაპია) მიღებული პროდუქტი სავარაუდოდ მთლიანად გაიყიდება შიდა ბაზარზე.				
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
7	ა.დოლიძე ნ. გაბრიაძე ზ. მანველიძე ი. მიქაძე ნ. ქავთარაძე ლ. დოლიძე	ანტიმიკრობული ნივთიერებების ძიება საქართველოს ზოგიერთ ენდემურ მცენარეში.	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკა-დემიის მაცნე, ქიმიის სერია ტომი 41, №3	თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	4
	ანოტაცია				
	მოსალოდნელია, რომ ენდემურ მცენარეებში ცნობილი ნივთიერებების შემცველობის განსხვავებულ ქიმიურ პროფილთან ერთად დადგინდეს ახალი ტიპის ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების არსებობაც. განსაკუთრებით საინტერესოა ანტიმიკრობული, ანტივირუსული და სხვა ტიპის აქტივობის მქონე ნაერთების გამოყოფა, რათა შეივსოს არსებული პრეპარატების მცირე ნომენკლატურა და მოხდეს ახალი საშუალებების შემუშავება. აჭარის ტერიტორიაზე სპეციფიური ჰავა (მთისა და სუბტროპიკული ჰავის შეზავება) და ნიადაგურ-კლიმატური პირობები განაპირობებს ენდემური მცენარეების მრავალფეროვნებას, საიდანაც გამოყოფილი სხვადასხვა აქტივობის ბიოლოგიურად აქტიური თვისებების მქონე ნივთიერებები კვლევისა და გამოყენების ფართო შესაძლებლობას იძლევა.				
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
8	ნ. ბარბაქაძე, თ. დგებუაძე ნ. ქავთარაძე ლ. დოლიძე	ენდოფიტური სოკოებიდან ბიოლოგიურად აქტიური	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკდემიის მაცნე,	თბილისი,	4

	ი. მიქაძე ა.დოლიძე	ნივთიერებების მიღების შესაძლებლობები.	ქიმიის სერია, ტომი 41, № 3		
	ანოტაცია				
	ენდოფიტურ სოკოებს უნარი აქვს დააგროვონ იგივე ბიოლოგიურად აქტიური ნაერთები, რაც მის მასპინძელ-მცენარეს. გამოკვლეულია ენდოფიტური სოკოები, რომლებიდანაც შესაძლებელია მთელი რიგი მცენარეული ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების მიღება, რომლებიც ანტიმიკრობული, ინსექტიციდური, ციტოტოქსიკური და ანტისიმსივნური აქტივობით ხასიათდებიან. საქართველოში შესაძლებელია ბაწარის სახელმწიფო ნაკრძალში არსებული რელიქტური უთხოვარის (*Taxus baccata*) და სხვა ადგილობრივი შერჩეული მცენარეების კორომებში არსებული ენდოფიტური სოკოს გამოყენება ანტიმიკრობული ნაერთების მისაღებად, რაც უდაოდ პერსპექტიულია ბუნებრივ საშუალებებზე მზარდი მოთხოვნილებიდან გამომდინარე.				
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
9	ა. დოლიძე ნ.ნონიკაშვილი ქ. ებრალიძე ი. მიქაძე ო. ლომთაძე	მცენარეული ნივთიერებები მავნებელთა საწინააღმდეგოდ.	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკა-დემიის მაცნე, ქიმიის სერია, ტომი 41, № 3	თბილისი,	3
	ანოტაცია				
	მიუხედავად მთელი რიგი ნაკლოვანებისა, სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკაში გამოიყენება მოქმედების ფართო სპექტრის პესტიციდები. ეფექტური ბიოდაშლადი, სელექტიურად მოქმედი პესტიციდების შემუშავება სულ უფრო აქტუალური ხდება. სადღეისოდ ამაღლდა ინტერესი ბუნებრივი წარმოშობის პესტიციდებისადმი, მათ შორის მცენარეებში არსებული ინსექტიციდური ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებისადმი. საქართველოს მდიდარი მცენარეული საფარველი ამ მხრივ შეუსწავლელია და პერსპექტიულია ენდემური და რელიქტური მცენარეების ბიომასის ქიმიური კვლევა, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გამოყოფა და შესაბამისი ინსექტიციდური პრეპარატების კომერციული დამზადება.				
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
10	ლ. ტატიაშვილი ი. მიქაძე ნ. წეროძე მ.ჯაფარიძე	ბუნებრივი ნედლეულიდან კატეხინებისა და ფლავონოიდების გამოყოფის ტექნოლოგია.	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკა-დემიის მაცნე, ქიმიის სერია ტომი 41, № 3	თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	5
	ანოტაცია				
	ჩატარებულია სამუშაო ყურძნის წიპწიდან კატეხინებისა და ფლავონოიდების გამოსაყოფად სხვადსხვა გამხსნელების საშუალებით. დამუშავებულია ექსტრაგირების მეთოდიკა ქლოროფორმითა და სპირტის წყალხსნარით. გამოკვლეულია კატეხინების შემცველობა ყურძნის წიპწის შემადგენლობაში.				
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური	ჟურნალის/ კრებულის	გამოცემის ადგილი,	გვერდების რაოდენობა

			დასახელება და ნომერი	გამომცემლობა	
11	ა. დოლიძე, ო. ლომთაძე, ლ. ცხვედაძე, დ. კაკაშვილი	ატმის სიდამპლე “Monilia frudtigena” და მის წინააღმდეგ თითიის დიჰიდრო-ფოსფატის გამოყე-ნება	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 2015, №34, მაისი	თბილისი	4 გვ.199-203
	ანოტაცია				
	პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტში შემუშავებული, თუთიის დიჰიდროფოსფატის საფუძველზე მომზადებული,ფუნგიციდური თვისების პრეპარატი “ანტიფუნგალი” ლაბორატორიულ პირობებში სიდამპლეების გამომწვევი სოკოს კონიდიოსპორების წინააღმდეგ და ბუნებრივ პირობებში გორის მუნიციპალიტეტის სოფ. სკრაში ფერმერ ვ.კაკაშვილის ატმის ბაღის საცდელ ნაკვეთში ატმის სიდამპლეების წინააღნდეგ. “ანტიფუნგალი”-ს 1%-ანი ხსნარით დამუშავების შედეგად საცდელ ხეებზე სიდამპლეების განვითარება 3-ჯერ ნაკლებია (12.5%) საკონტროლო ხეებზე ბანვითარებულ სიდამპლეებთან შედარებით			
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
12	ლ. ცხვედაძე, დ. კაკაშვილი ა. დოლიძე, ო. ლომთაძე,	აღმისავლური ნაყო-ფჭამიას წინააღმდეგ ფერომონული სქესმ-ჭერების გამოყენება	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 2015, №3-4, მაისი	თბილისი	4 189-192
	ანოტაცია				
	სტატიაში მოტანილია ატმის ბაღის საცდელ ნაკვეთში მავნებელ დაავადებების წინააღმდეგ ინტეგრირებული ბრძოლის სისტემაში, ფართოდ გავრცელებული და დიდი ზიანის მომტანი მავნებლის, აღმოსავლური ნაყოფჭამიას გავრცელების პროგნოზისა და მასთან კომპლექსური ბრძოლისათვის ფერომონული სქესმჭერების “ელიმინაციის” და “დეზორიენტაციის“ მეთოდის გამოყენების შედეგები. საველე გამოცდეში გამოყენებულ სქესმჭერებში დისპენსერებზე დატანილი იყო სინთეზის ახალი სქემით მიღებული აღმოსავლური ნაყოფჭამიას სქესის ფერომონი. ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ ფერომონული სქესმჭერები შესაძლებელია გამოყენებული იყოს მავნებლის გავრცელების პროგნოზისათვის მამრი პეპლების პირველი თაობის ფრენის დაწყების მიხედვით. აღმოსავლური ნაყოფჭამიას შემდგომი თაობების მიმართ ფერომონული სქესმჭერების გამოყენება შესაძლებელია “დეზორიენტაციის“ მეთოდით ბრძოლისათვის.			
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
13	ო. ლომთაძე, ლ. ცხვედაძე, ნ. შალვაშვილი, მ. ბურჯანაძე, ა. დოლიძე	სილიციუმშემცველი ჰუმინური მკვებავი პრეპარატი	პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის შრომები, 2015წ	თბილისი	4 173-176
	ანოტაცია				
	შემუშავებულია სილიციუმის შემცველი ჰუმინური მკვებავი პრეპარატი “Si-გუმატი“,				

	რომლითაც ჩატარდა ვაზებისა და ხეხილის (ვაშლი, ატამი) ნერგების ფესვური და ფოთლოვანი კვება. საველე გამოცდის შედეგებიდან გამომდინარე "Si-გუმატით" დამუშავების შედეგად ვაზებმა კარგად გადაიტანეს გვალვა და მაღალი ატმოსფერული ტემპერატურის ზემოქმედება, ხოლო ატმისა და ვაშლის საცდელი ნერგების ზრდა-განვითარება, საკონტროლოსთან შედარებით, საშუალოდ 15%-ით უკეთესია. ამასთანავე, დამუშავებულ ნერგებზე არ აღინიშნა მავნებელ-დაავადებების განვითარება.				
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
14	ო. ლომთაძე, ლ. ცხვედაძე, დ. კაკაშვილი, ნ. ლომთაძე, რ. ცისკარიშვილი	ვაშლის მავნებლების საწინააღმდეგო ეკოლოგიურად ნაკლებად სახიფათო პრეპარატები	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკა-დემიის მაცნე, ქიმიის სერია, ტომი 41, № 4	თბილისი	4
	ანოტაცია				
	ჩატარდა პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტში შემუშავდა მცირე ეკოლოგიური დატვირთვის ახალი რეცეპტურის ზეთოვან-ემულსიური პრეპარატისა (მზადდება ვაზელინის ზეთის გამოყენებით) და ინსექტო-აკარიციდული პრეპარატის პირობით სახელწოდებით "ანტიპესტი"-ს (მზადდება ფიჭვის ფისიდან მიღებული ბუნებრივი ნაერთის, ტერპენტინების ზეთის გამოყენებით) ეფექტურობის საველე გამოცდა. საცდელი ზეთოვან-ემულსიური პრეპარატი ეფექტურობით აღემატება ეტალონად შერჩეულ იტალიური წარმოების (კომპანია Sipkam) პრეპარატ "სიპკამოლი"-ს. საცდელი პრეპარატის შემთხვევებში ვაშლის ნაყოფებზე კალიფორნიას ფარიანის გავრცელებამ შეადგინა 2,6%, ფოთლებზე რგოლური ჩრჩილის გავრცელებამ 3,0%, ეტალონის შემთხვევაში მავნებლების გავრცელება შესაბამისად არის 3,5 % და 3,7 %, ხოლო შეუსხურებულ მცენარეებზე 28.6 % და 12,0%. ვაშლის ბაღებში ფართოდ გავცელებული ბუგრების წინააღმდეგ გამოცდის შედეგებით პრეპარატი "ანტიპესტი"-ს ეფექტურობა (მავნებლის სიკვდილიანობა 91,1%), მცირედით ჩამორჩება იმპორტული პრეპარატ „ლანატი"-ს ეფექტურობას (92%). ამასთან "ანტიპესტი" ეკოლოგიურიად ნაკლებად სახიფათო პრეპარატია, რაც მას გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს. მიღებული შედეგებიდან გამომდინაე შემუშავებული ახალი რეცეპტურის ზეთოვან-ემულსიური პრეპარატი და ინსექტოაკარიციდი „ანტიპესტი" შესაძლებელია ჩართული იქნეს ვაშლის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძებათა სისტემაში.				

4. მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმიის ლაბორატორია

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი - მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, ქიმ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი გივი პაპავა

პერსონალური შემადგენლობა:

მთავარი მეცნ. თანამშრომელი: ქ.მ.კ. მარინა გურგენიშვილი
უფრ. მეცნ. თანამშრომელები: ქ.მ.კ. ეთერ გავაშელიძე, ქ.მ.კ. ია ჩიტრეკაშვილი
მეცნ. თანამშრომლები: ქ.მ.კ. ნუნუ მაისურაძე, ქ.მ.კ. ნორა დოხტურიშვილი, ქ.მ.კ. ნაზი გელაშვილი, ზურაბ თაბუკაშვილი, ნანული ხოტენაშვილი, ზურაბ ჩუბინიშვილი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	შესრულებული პროექტის დასახელებამეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	საქართველოს ბუნებრივი ნედლეულის - დიატომიტის საფუძველზე ახალი ტიპის კვაზი-ჰიბრიდული იონიტების მიღება. (ქიმია, მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმია)	ქიმ.მეცნ.დოქტ.,პროფ. გივი პაპავა ქიმ. მეცნ.კანდ., მთავარი მეცნ. თანამშრ. მარინა გურგენიშვილი	ნ. გელაშვილი ზ. თაბუკაშვილი ნ. მაისურაძე ნ. დოხტურიშვილი ე, გავაშელიძე
	გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები		
	2015 წელს სამუშაოს მიზანს შეადგენდა დიატომიტის ფორებში მონომერების სორბციის და დესორბციის პროცესების შესწავლა. როგორც გამოკვლევებმა გვიჩვენა, მონომერში ფუნქციური ჯგუფების ჩანაცვლებამდე, დიატომიტის ფორებში სორბირებული მონომერის რაოდენობა აღწევს 22-25%-ს, მაგრამ შემდგომში იგი ადვილადვე, პრაქტიკულად მთლიანად დესორბირდება. მონომერში ფუნქციური ჯგუფების ჩანაცვლების შედეგად მოლეკულის სიდიდე იზრდება, რის გამოც დიატომიტის ფორებში ფუნქციური ჯგუფების შემცველი მონომერების სორბციის დროს, სორბირებული მონომერის რაოდენობა 20-25-დან 10-15%-მდე მცირდება. ამიტომ, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, პირველ ეტაპზე დიატომიტის ფორებში მონომერის ჩანერგვა, ხოლო შემდეგ მასში ფუნქციური ჯგუფების ჩანაცვლება. ფუნქციური ჯგუფების ჩანაცვლების შემდეგ მონომერის დესორბციის პროცესი მნიშვნელოვნად მცირდება, ხოლო ფორებში პოლიკონდენსაციის რეაქციის ჩატარების შემდეგ, დესორბციის პროცესს პაქტიკულად ადგილი უკვე აღარ აქვს.		
№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2	ტრიბოტექნიკური დანიშნულების ახალი ტიპის პოლიმერული კომპოზიციური მასალების მიღება და კვლევა. (ქიმია, მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმია, ახალი მასალები.)	ქიმ. მეცნ. დოქტ., პროფ. გივი პაპავა ქიმ. მეცნ.კანდ., მთავარი თანამშრ. მარინა გურგენიშვილი	ი. ჩიტრეკაშვილი ნ. გელაშვილი ზ. თაბუკაშვილი ნ. დოხტურიშვილი ნ. მაისურაძე
	გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები		
	სამუშაოს მიზანს 2015 წელს შეადგენდა ბუნებრივი გრაფიტის მაღალდისპერსიული ფხვნილის ზედაპირზე ფტორშემცველი ოლიგომერის და სპილენძის ნანოდანაფარების შექმნა და მიღებული ფხვნილების საფუძველზე გაუმჯობესებული საექსპლუატაციო თვისებების მქონე პოლიმერული მასალების მიღება. განხორციელდა გრაფიტის (ЭУТ1) მოდიფიცირებული მაღალდისპერსიული		

	ფხვნილების მიღება და კვლევა, აგრეთვე გრაფიტის ოლიგომერით მოდიფიცირების პროცესის შეაწავლა. კერძოდ, შესწავლილია მოდიფიცირების გავლენა ფრიქციულ თვისებებზე. განხორციელდა გრაფიტის სპილენძით მოდიფიცირება და შესწავლილია ამ პროცესზე საწყისი კომპონენტების კონცენტრაციის, ტემპერატურის, დროის და სხვა ფაქტორების გავლენა. მიმდინარეობს სპილენძით სხვადასხვა ხარისხით მოდიფიცირების შესაძლებლობისა და მოდიფიცირებული გრაფიტის ფრიქციული თვისებების შესწავლა		
№	შესრულებული პროექტის დასახელებამეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
3	პოლიკონდენსაციის მეთოდით ამიდური ტიპის ხაზოვანი პოლიმერების წარმოქმნის პროცესის და მისი მიკრობული დეგრადაციის ფიზიოლოგიურ-ბიოქიმიური ასპექტების შესწავლა. (ქიმია, მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმია, გარემოს დაცვა.)	ქიმ. მეცნ. კანდ., უფრ.მეცნ. თანამშრომელი: მარინა გურგენიშვილი	ი. ჩიტრეკაშვილი, ზ. თაბუკაშვილი, ნ. ხოტენაშვილი, რ. ლიპარტელიანი, გ. პაპავა
	გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები		
	სამუშაოს მიზანს 2015 წელს შეადგენდა ბუნებრივი სორბენტების ფორებში, ამიდური ტიპის პოლიმერების მისაღებად, მონომერების ჩანერგვა, ფორებში მონომერების სორბციისა და დესორბციის და ამ პროცესების სხვადასხვა ფაქტორებისაგან დამოკიდებულების შესწავლა. მონომერების ჩანერგვა სორბენტის ფორებში განხორციელდა ნალღობში. სამუშაოს ძირითად მიზანს შეადგენდა აგრეთვე ხაზოვანი სტრუქტურის მქონე პოლიმერის მიღება ამიდური მონომერის - კარბამიდის პოლიკონდენსაციით. რეაქცია ტარდებოდა ხსნარში, ნალღობში და მყარ ფაზაში. ხსნარში რეაქცია ტარდებოდა 40-98^{0}C-ის, ნალღობში 130 - 150^{0}C-ის, ხოლო მყარ ფაზაში – 20-25^{0}C –ის ინტერვალში. სამუშაო გეგმა ითვალისწინებდა აგრეთვე ნიადაგის მიკროფლორის თვისობრივ და რაოდენობრივ ანალიზს, მათ შორის ცალკეული ფიზიოლოგიური ჯგუფების გამოყოფასა და იდენტიფიკაციას. ამ მიზნით ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები		

საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	პოლიფენილენოქსიდის და გრაფიტის სტრუქტურაზე,	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ქიმ.მეცნ.კანდ., უფრ. მეცნ. თანამშრომელი: ია ჩიტრეკაშვილი	ი. ჩიტრეკაშვილი ვ. შეროზია

1	ტრიბოქიმიურ და ტრიბოტექნიკურ თვისებებზე მოდიფი-ცირების პროცესის გავლენის შესწავლა გაუმჯობესებული თვისებების ანტიფრი-ქციული მასალების მიღების მიზნით № FR/237/3-121/13 (ქიმია, მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმია, ახალი მასალები.)			ნ. მაისურაძე შ. პაპავა
	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	შესწავლილი იქნა მოდიფიცირებული და არამოდიფიცირებული პოლიფენილენ-ოქსიდის თვისებები. გამოვლენილ იქნა ის დესტრუქციული პროცესები, რომელიც მიმდინარეობს ამ სისტემაში ხახუნის დროს. შემდეგ ჩატარდა ამ პროცესების ჩახშობის მიზნით მოდიფიცირე-ბული პოლიფენილენ-ოქსიდის სტრუქტურისა და თვისებების კვლევა ხახუნის პროცესში. მიღებულმა შედეგებმა გვაჩვენა, რომ მოდიფი-ცირებული პოლიფენილენ-ოქსიდის თერმომედეგობა 2-ჯერ და მეტად უმჯო-ბესდება, ხოლო ცვეთა-მედეგობა 0,35- დან 0,25-მდე იზრდება, მცირდება ხახუნის კოეფიციენტი და იზრდება მისი სტაბილურობა 250^0C ტემპერატურამდე. შესწავლილია ფტორშემცველი ოლიგომერით–ქლორპერფტორდოდეცილ ფტორსულფატით (ფდს) მოდიფიცირების პროცესის გავლენა გრაფიტის სტრუქტურაზე და ხახუნის პროცესში თვისებები - ხახუნის კოეფიციენტი და ცვეთამედეგობა. მოდიფიცირებული გრაფიტის ნიმუშები მზადდებოდა გრაფიტისა და ფდს-ის ნარევის ვიბროწისვილში ერთობლივი გადამუ-შავებით,ხოლო თვისებების შეფასება - ფოლადის ორ დისკს შორის P=1კგ/სმ დატვირთვით და V=0,35მ/წმ სიჩქარით ხახუნით 4-5 წთ-ის განმავლობაში. საწყისი და მოდიფიცი-რებული გრაფიტის შემზეთავი თვისებები ფასდებოდა მათი ორ მოხახუნე მყარ ზედაპირს შორის გამოცდით, სიჩქარის გარკვეული საფეხურებით გაზრდის პირობებში. სიჩქარის ზღვრული მნიშვნელობა შეესაბამებოდა ხახუნის კოეფიციენტის მყისიერად ზრდას. მიღებულმა შედეგებმა გვაჩვენა, რომ ფტორალკანი გრაფიტში სტრუქტურულ ცვლილებებს არ იწვევს. მაგრამ გრაფიტის ნანოფხვნილის ზედაპირზე წარმოქმნის 2-5მკმ სისქის ფტორალკანით ჩანერგილ შრეს, რომელშიც ფტორის ატომები პერიფერიულადაა განლაგებული. ეს შრე იცავს გრაფიტის მარცვლებს ხახუნის დროს დაშლისაგან და, ამასთანავე, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს გრაფიტის თვითშეზეთვის უნარს. ამის შედეგად გრაფიტის ხახუნის კოეფიციენტი თითქმის 3-4- ჯერ შემცირდა			
№	პროექტის დასა-ხელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი -	პროექტის შემსრულებლები
2	აზოტოვანი სასუ-ქების სინთეზი და მისი მიკრობული დეგრადაციის ფიზი ოლოგო-ბიოქიმი-ური ასპექტების შესწავლა, FR/322/10-100/13	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ქიმ.მეცნ.დოქტ., პროფ. გივი პაპავა	პაპავა გივი გუგავა ელდარ ხოტენაშვილი ნანული ლიპარტელიანი რივა

	(აგრობიოტექნოლო-გია, აგარარული მეცნიერებები)			
	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	გაანალიზებულ იქნა ყავისფერი ტიპის ნიადაგი. გამოიყო და შეირჩა მიკროორგანიზმები. შემუშავებულია დიატომიტის ფორებში კარბამიდის ჩანერგვის მეთოდიკა. ამ მიზნით განხორციელდა დიატომი-ტის ფრაქციონირება. შერჩეილ იქნა ფრაქცია რომლის მარცვლების ზომა არ აღემატება 1-2 მმ-ს. დრაჟირების შემთხვევაში დიატომიტი იფქვება ბურთულებიან წისქვილში 6-8 საათის განმავლობაში. დიატომიტის ფორებში კარბამიდის ჩანერგვისათ–ვის გამოყენებული იყო სხვადასხვა მეთოდი: ვალცირება, როდესაც იღებენ დიატომიტისა და კარბამ- იდის მექანიკურ ნარევს. პროცესი ამ დროს გრძელდება 48 საათის განმავლობაში. ჩანერგვის ხარისხი არ აღემატება 8-10%-ს. სხვადასხვა კონცენტრაციის წყალხსნა-რის გამოყენება, როდესაც კარბამიდის კონცენტრაცია იცვლება 10-დან 50%-მდე. ჩანერგვის ხარისხი ამ დროს არ აღემატება 5- 6 %-ს. უკეთესი შედეგი მიიღწევა, როდესაც ჩანერგვა ხორციელდება ნალღობში, 150-155 გრადუს ტემპერატურაზე. ამ შემთხვევაში ჩანერგვის ხარისხი იზრდება 22-25%-მდე.შესწავლილია დიატომიტის ფორებში კარბამიდის სორბციის პროცესი ნალღობ-ში. დადგენილია, რომ დიატომიტის ფორებში სორბირებული კარბამიდის რაოდე-ნობა იზრდება ტემპერატურის ზრდასთან ერთად, რაც აიხსნება გამლღვალი კარ-ბამიდის სიბლანტის შემცირებით, რაც აადვილებს კარბამიდის მოლეკულების შეღწევას დიატომიტის ფორებში. 150-155 გრადუს ტემპერატურაზე სორბციის ხარისხი აღწევს 23-25%-ს. შესწავლილია სორბციის პროცესზე ხანგრძლივობისა და ტემპერატურის გავლენა. შესწავლილია დიატომიტის ფორებში სორბირებული კარბამიდის სტრუქტურირების პროცესი 135–155^{0}C -ის ინტერვალში. სტრუქტურირების სიჩქარე ამ დროს რამდენადმე შემცირებულია იმ შემთხვევასთან შედარებით, როდესაც სტრუქტურირება ხორციელდება ჩვეულებრივ პირობებში, სარეაქციო ჭურჭელში, დიატომიტის მონაწილეობის გარეშე.			
№	პროექტის დასა-ხელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი -	პროექტის შემსრულებლები
3	პროლონგირებუ ლი და ბიოდეგ რადირე-ბადი პოლიმერული გვარჯილის სინთეზი და კვლევა. № FR/381/10-160/14 (დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო, გარემოს დაცვის ტექნოლოგიები)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ქიმ.მეცნ.კანდ., მთავარი მეცნ. თანამშრომელი მარინა გურგენიშვილი	გურგენიშვილი მარინა ლომთათიძე ზურაბ დოხტურიშვილი ნორა პაპავა ქეთევან
	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
3. დავლიანიძე მაია - ცენტრის რედაქტორი;
4. ორმოცაძე ია - ცენტრის რედაქტორი.

ლექსიკოგრაფიულ ცენტრში ხელშეკრულებით მუშაობს ხუთი თანამშრომელი:

1. გიორგი ქერეჭაშვილი - სპეციალისტი (პროგრამისტი);
2. ქეთევან ჭიღლაძე - სპეციალისტი;
3. მარინე მახათაძე - სპეციალისტი
4. ზაალ ზურაბაშვილი - რედაქტორის ასისტენტი საგრანტო პროექტში „ტექნიკური ტერმინოლოგიის ინგლისურ-ქართული ელექტრონული და ონლაინ-ლექსიკონი“;
5. სიბილა გელაძე - სპეციალისტი.

*** საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები**

№	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, მე-15 ტომის დასრულება (ლექსიკოგრაფია)	მთავარი რედაქტორი თინათინ მარგალიტაძე	გიორგი მელაძე გელა ხუნდაძე მაია დავლიანიძე ია ორმოცაძე
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
	2015 წელს გრძელდებოდა მუშაობა დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის მე-15 ტომის შევსებაზე, რომელშიც შესულია ასოები: Q, R. დასრულდა ასო R-ის შევსება, რომელიც ორი მიმართულებით მიმდინარეობდა, ერთი მხრივ იგი შეივსო სიტყვა-სტატიებით, მათ შორის ტერმინოლოგიური სიტყვა-სტატიებით, მეორე		

	მხრივ კი არსებული სიტყვა-სტატიები განივრცო პოლისემიური მნიშვნელობებით, ფრაზეოლოგიური ერთეულებით, ფრაზული ზმნებით, სალექსიკონო სიტყვა-სტატიებს დაემატა საილუსტრაციო ფრაზები და წინადადებები.		
№	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
2	მე-20 საუკუნეში შედგენილი ფრანგულ-ქართული ლექსიკონების კრიტიკული განხილვა (ლექსიკოგრაფია)	თინათინ მარგალიტაძე	სიბილა გელაძე
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
	შესწავლილ იქნა სიტყვა-სტატიები შემდეგი ფრანგულ-ქართული ლექსიკონებიდან: 1971, „ქართულ-ფრანგული ლექსიკონი“ ის. გვარჯალაძის და ე. ლებანიძის თანაავტორობით; 1984, ელისაბედ ოქროპირიძის „ფრანგულ-ქართული ლექსიკონი“; 1998, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგენილი „ფრანგულ-ქართული ლექსიკონი“ სამ ტომად, ნუნუ ქადეიშვილის საერთო რედაქტორობით. ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა ახალი, თანამედროვე ფრანგულ-ქართული სასწავლო ლექსიკონის შექმნის აუცილებლობა. დაიგეგმა მუშაობის დაწყება ლექსიკონზე 2016 წლიდან.		
	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
3	სამეცნიერო ტექსტების ინგლისურ-ქართული პარალელური კორპუსი (კორპუსული ლინგვისტიკა)	თ. მარგალიტაძე	მ. დავლიანიძე გ. ქერეჭაშვილი ი. ორმოცაძე ქ. ჭიღლაძე მ. მახათაძე
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
	ინგლისურ-ქართული სამეცნიერო ტექსტების პარალელურ კორპუსში დასრულდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბის“ ტომების გაციფრება და ატვირთვა. გათანაბრებულია ინგლისურ-ქართული წინადადებების 80 %. დღეისათვის კორპუსში 1 300 000 სიტყვაფორმაა. კორპუსის შევსება მომავალშიც გაგრძელდება სამეცნიერო ტექსტებით. 2015 წელს შეიქმნა კორპუსის „ტერმინოლოგიური“ მოდული და დეტალური ძიების ფუნქცია. აღნიშნული მოდული და დეტალური ძიების ფუნქცია საშუალებას		

	იძლევა კორპუსიდან სორტირებულად ამოვიღოთ ამა თუ იმ დარგის ტერმინოლოგია შემდგომი ლექსიკოგრაფიული დამუშავებისათვის. კორპუსის ეს ახალი ფუნქციონალი შემოწმდა საბანკო-საფინანსო ტექსტების მასალაზე, კორპუსიდან ამოიკრიფა რამდენიმე ათასი საბანკო-საფინანსო ტერმინების შემცველი ტექსტები შემდგომი ლექსიკოგრაფიული დამუშავებისათვის. ამჟამად მიმდინარეობს ამ ტერმინების ლექსიკოგრაფიული დამუშავება კორპუსის დახმარებით, შედგენილი სიტყვა-სტატიები კი შეავსებს დიდ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონს საბანკო-საფინანსო ტერმინოლოგიით. ზემოხსენებული კვლევა წარდგენილ იქნა 2015 წლის სექტემბერში თბილისში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე: „ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები“ 2016 წელს დავიწყებთ მუშაობას კორპუსის ქართული ნაწილის ანოტირებაზე (არსებითი სახელი).

* სახელმწიფო გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	„ტექნიკური ტერმინოლოგიის ინგლისურ-ქართული ელექტრონული და ონლაინ-ლექსიკონი“	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	თინათინ მარგალიტაძე	თინათინ მარგალიტაძე გიორგი მელაძე გელა ხუნდაძე მაია დავლიანიძე ზაალ ზურაბაშვილი გიორგი ქერეჭაშვილი

დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

ორწლიანი პროექტის მესამე საანგარიშო ექვსთვიანი პერიოდი დასრულდა 2015 წლის 5 ოქტომბერს. ანგარიში ჩაბარდა შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს.

1. სამ საანგარიშო პერიოდში ტექნიკური ტერმინოლოგიის ინგლისურ-ქართული ლექსიკონისათვის შედგენილია **14 000 ტერმინი,** რომლებიც ასოების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

A – 1217 სიტყვა-სტატია;
B – 1349 სიტყვა-სტატია;
C – 3089 სიტყვა-სტატია;
D – 1188 სიტყვა-სტატია;
E – 716 სიტყვა-სტატია;
F – 1131 სიტყვა-სტატია;
G – 447 სიტყვა-სტატია;
H – 700 სიტყვა-სტატია;
I – 560 სიტყვა-სტატია;
J K L – 895 სიტყვა-სტატია;
Q – 100 სიტყვა-სტატია;
R – 1098 სიტყვა-სტატია;
სხვადასხვა ასოებზე შედგენილი სიტყვა-სტატიები:
M – P – 765 სიტყვა-სტატია;
S – Z – 758 სიტყვა-სტატია (მათ შორის კავშირგაბმულობის და ნაწილობრივ კომპიუტერული

ტერმინები). ტერმინების ნაწილს დართული აქვს განმარტებები და რუსული ეკვივალენტები;
2. მესამე საანგარიშო პერიოდში დასრულდა მუშაობა ტექნიკური ტერმინოლოგიის ელექტრონული ლექსიკონის მეორე ვერსიაზე და მასში ჩაიტვირთა ამ პერიოდისათვის უკვე შედგენილი 14 000 სიტყვა-სტატია. პროგრამას ჩაუტარდა ტესტირება.
3. ტექნიკური ტერმინოლოგიის ონლაინ-ვერსიაში აიტვირთა ამ დროისათვის უკვე შედგენილი 14 000 სიტყვ-სტატია და პროგრამას ჩაუტარდა ტესტირება. ტექნიკური ტერმინოლოგიის ონლაინ-ლექსიკონი განთავსებულია მისამართზე: http://tech.dict.ge
4. დასრულდა მუშაობა ონლაინ-ლექსიკონის მართვის პანელზე, რომელსაც აქვს შემდეგი ფუნქციები:

1) ლექსიკონის სიტყვანის დათვალიერების, რედაქტირების ფუნქციები;
2) ახალი სიტყვების დამატების ფუნქცია;
3) მომხმარებლების მიერ განხორციელებული ძიების ლოგები;
4) რედაქტორისთვის საჭირო ინსტრუმენტები - გენერატორები და კონვერტორები.

* პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ანოტაციები				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაცია				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ანოტაციები				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თ. მარგალიტაძე	„დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი და შექსპირის ქართული თარგმანები“	საერთაშორისო კონფერენციის *„შექსპირი 450“* მასალები	გამომცემლობა „უნივერსალი“ თბილისი, 2015	გვ. 137 - 148
2	თ. მარგალიტაძე	„თანამედროვე ქართული ორენოვანი ლექსიკოგრაფიის ამოცანები“	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის წელიწდეული	თსუ გამომცემლობა	გადაეცა დასაბეჭდად
3.	გ. მელაძე	„ლექსიკური ეკვივალენტობის საკითხისათვის"	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის "კრებული"	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	ტომი X, გვ.79-87
4	გ. მელაძე	„ორენოვანი ლექსიკონების მნიშვნელობა უცხო ენების სწავლისა და სწავლებისათვის (*საკითხის თეორიული ასპექტები*)“	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის წელიწდეული	თსუ გამომცემლობა	გადაეცა დასაბეჭდად

ანოტაციები ქართულ ენაზე

1) „**დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი და შექსპირის ქართული თარგმანები**“

სტატიაში განხილულია დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის სიტყვა-სტატიებზე მუშაობის მეთოდოლოგია, რომელმაც განაპირობა ის, რომ დღეს ლექსიკონის მომხმარებლებს შორის არიან არა მხოლოდ ინგლისური ენის შემსწავლელები, არამედ მთარგმნელებიც, მათ შორის უილიამ შექსპირის ნაწარმოებების ქართულ ენაზე მთარგმნელებიც. ლექსიკონი სწორედ ასეთად იყო ჩაფიქრებული ინგლისური ფილოლოგიის კათედრისა და მისი პირველი გამგის, პროფ. გივი გაჩეჩილაძის მიერ, რომელიც ლექსიკონის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი იყო და როგორც მთარგმნელი,

ყველაზე კარგად გრძნობდა დიდი აკადემიური ინგლისურ-ქართული ლექსიკონის საჭიროებასაც და ნაკლებობასაც.

მოხსენებაში სალექსიკონო სიტყვა-სტატიაზე მუშაობის მეთოდოლოგია ნაჩვენებია შექსპირის 130-ე სონეტის რამდენიმე სიტყვის მაგალითზე, მოყვანილია სონეტის რამდენიმე ქართული თარგმანი ამ სიტყვების ინტერპრეტაციის თვალსაზრისით.

2) „**თანამედროვე ქართული ორენოვანი ლექსიკოგრაფიის ამოცანები**“

სტატიაში, ლექსიკოგრაფიული ცენტრის მრავალწლიან გამოცდილებასა და კვლევებზე დაყრდნობით, გაანალიზებულია თანამედროვე ქართული აკადემიური ორენოვანი ლექსიკოგრაფიის ამოცანები, როგორც ზოგადი ლექსიკოგრაფიის, ისე დარგობრივი ლექსიკოგრაფიის თვალსაზრისით.

3) „**ლექსიკური ეკვივალენტობის საკითხისათვის**“

სტატიაში განხილულია ეკვივალენტობა სხვადასხვა ენების სინონიმურ ლექსიკურ ერთეულთა შორის. საკითხი განიხილება ლექსიკოგრაფიული მეცნიერების თეორიასა და პრაქტიკასთან მიმართებაში.
შესავალში ავტორს მოჰყავს საკუთარი არგუმენტები იმ მოსაზრების დასასაბუთებლად, რომ ლექსიკოგრაფია მეცნიერებაა და არა უბრალოდ ხელობა.
სტატიის ძირითად ნაწილში ავტორი დეტალურად განიხილავს სხვადასხვა ენების ლექსიკური ერთეულების ეკვივალენტობის საკითხს. წარმოდგენილია ლექსიკოგრაფიისა და ლექსიკოლოგიის აღიარებულ თეორეტიკოსთა და პრაქტიკოსთა მოსაზრებანი ლექსიკური ეკვივალენტობის საკითხთან დაკავშირებით.

სტატიის დასკვნით ნაწილში მოყვანილია ავტორის მიერ ჩატარებული ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზის შედეგები (ევროპული ენების ლექსიკურ ერთეულთა მასალაზე). საბოლოოდ, ავტორი მიდის ლექსიკოგრაფიული საქმიანობისთვის მნიშვნელოვან დასკვნამდე, რომ ეკვივალენტობა ევროპული ენების სინონიმურ ლექსიკურ ერთეულებს შორის ნამდვილად არსებობს, ოღონდ ზოგიერთი ტიპის ლექსიკაში ამგვარი ეკვივალენტობის ხარისხი მეტია, ხოლო ზოგიერთი ტიპისაში – შედარებით ნაკლები. ამ ნიშნით გამოყოფილია ორი ტიპის ლექსიკური ერთეულები.

4) „**ორენოვანი ლექსიკონების მნიშვნელობა უცხო ენების სწავლისა და სწავლებისათვის (*საკითხის თეორიული ასპექტები*)**“

ბოლო ხანებში ხშირად გამოითქმის მოსაზრება, რომ უცხო ენის სწავლების პროცესში ორენოვანი (უცხოურ-მშობლიური) ლექსიკონების გამოყენება საჭირო არ არის და უფრო ეფექტიანი და სასურველია უცხოურივე განმარტებითი ლექსიკონებით სარგებლობა.
ჩვენი აზრით, ამგვარი მიდგომა პრაქტიკულობას და დასაბუთებულობას მოკლებულია. პირიქით, ენის შესწავლის პროცესში უფრო მისაღებად და სასურველად მიგვაჩნია უპირატესი ორიენტაცია ორენოვან, უცხოურ-მშობლიურ, ლექსიკონებზე უცხო ენის შემსწავლელის ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად.

ნაშრომში მოყვანილია უცხო ენების სწავლისა და სწავლებისას ორენოვან

ლექსიკონებზე დაყრდნობის აუცილებლობის თეორიული დასაბუთება.

ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	ვერდების რაოდენობა
1 2 3				
ანოტაციები				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	ვერდების რაოდენობა
1 2 3				
ანოტაციები				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	ვერდების რაოდენობა
1 2 3				
ანოტაციები				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ-ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლო ბა	ვერდების რაოდენობა
1	T. Margalitadze	‘Lexicography of Georgian’	წიგნში: ‘International Handbook of Modern Lexis and Lexicography’	Springer Publishing	იბეჭდება

ანოტაცია

სტატია მომზადდა Springer Publishing-ის დაკვეთით (იხ. წიგნის სარჩევი პირველ დანართზე). წიგნის სახელწოდებაა „თანამედროვე ლექსიკისა და ლექსიკოგრაფიის საერთაშორისო სახელმძღვანელო“, მისი რედაქტორები არიან: პროფესორები პატრიკ ჰენკსი (დიდი ბრიტანეთი) და ჟილ-მორის დე სხრეივერი (ნიდერლანდები). ნარკვევი ქართული ლექსიკოგრაფიის შესახებ მომზადდა რედაქტორების მიერ შემოთავაზებული გეგმით, კერძოდ: სტატიის დასაწყისში მოცემულია ინფორმაცია ქართული ენის შესახებ, განხილულია ლემატიზაციის საკითხები ქართულ ლექსიკონებში, წარმოდგენილია ქართული ლექსიკოგრაფიის მოკლე ისტორია, მიმოხილულია მნიშვნელოვანი ლექსიკოგრაფიული ნაწარმოებები და ლექსიკოგრაფები, გაანალიზებულია ქართული ენისათვის შექმნილი ელექტრონული რესურსები, ელექტრონული ლექსიკოგრაფიის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა და სხვა საკითხები.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	თ. მარგალიტაძე, ი. ორმოცაძე	„ინგლისურ-ქართული სამეცნიერო ტექსტების პარალელური კორპუსის პლატფორმა და დარგობრივი ლექსიკოგრაფია“	საერთაშორისო კონფერენცია „ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები“. სექტემბერი, 2015, თბილისი
2	თ. მარგალიტაძე	„თანამედროვე ორენოვანი ლექსიკოგრაფიის ამოცანები“	საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი. თბილისი, 2015 წლის ნოემბერი
3			

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1) **„ინგლისურ-ქართული სამეცნიერო ტექსტების პარალელური კორპუსის პლატფორმა და დარგობრივი ლექსიკოგრაფია“**

მოხსენებაში განხილული იყო ინგლისურ-ქართული სამეცნიერო ტექსტების პარალელური კორპუსის პლატფორმის გამოყენების შესაძლებლობა დარგობრივ ლექსიკოგრაფიაში, კერძოდ კი ინგლისურ-ქართული დარგობრივი ლექსიკონების შესადგენად. აღწერილი იყო კორპუსის ახალი მოდული - ტერმინოლოგიური მოდული და მასთან დაკავშირებული დეტალური ძიების ფუნქცია (იხ. გვ. 2).

2) **„თანამედროვე ორენოვანი ლექსიკოგრაფიის ამოცანები“** (იხ. გვ. 5)

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1			
2			
3			
მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე			

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	ევროპის ლექსიკოგრაფიული ასოციაციის მე-17 საერთაშორისო კონგრესი	თ. მარგალიტაძე	თ. მარგალიტაძე, გ. მელაძე, მ. დავლიანიძე, ი. ორმოცაძე	თსუ, თიბისი ბანკი (საქართველო), ჰორნბის ფონდი (დიდი ბრიტანეთი), ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა (დიდი ბრიტანეთი), ევროპის ლექსიკოგრაფიული ასოციაცია.
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				
კონგრესი 2016 წლის 6 – 10 სექტემბერს ჩატარდება. 2015 წლის თებერვალში გაიხსნა კონგრესის ვებსაიტი მისამართზე: euralex2016.tsu.ge. კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტმა 5 ცირკულარული წერილი დააგზავნა ევროპის ლექსიკოგრაფიული ასოციაციის წევრებთან. 2015 წლის 20 ნოემბერს დასრულდა მოხსენებების მიღება, შემოსულია 140 მოხსენება. სულ კონგრესის ავტორებად 205 მეცნიერია დარეგისტრირებული. ნოემბრის ბოლოდან დაიწყო მოხსენებების ანონიმური რეცენზირების ეტაპი. თითოეული მოხსენება დაეგზავნა 2 ანონიმურ რეცენზენტს,				

რომლებიც კონგრესის სამეცნიერო საბჭოს წევრები არიან. რეცენზირების ეტაპი დასრულდა 2015 წლის მიწურულს. კონგრესის ავტორები, გარდა ევროპის ქვეყნებისა, არიან რუსეთიდან, უკრაინიდან, ბელორუსიიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, კანადიდან, იაპონიიდან, ჩინეთიდან, სამხრეთ აფრიკიდან, ბრაზილიიდან და სხვა.

ამჟამად ლექსიკოგრაფიული ცენტრი მუშაობს მოხსენებების რეცენზირებაზე და შემოსული რეცენზიების ანალიზზე. იანვრის ბოლოს დასრულდება მოხსენებების გადარჩევის პროცესი და საბოლოოდ ჩამოყალიბდება კონგრესის პროგრამა.

2016 წელს ლექსიკოგრაფიული ცენტრი მოამზადებს კონგრესის მოხსენებების სრულ კრებულს, რომელიც კონგრესის გახსნამდე გამოქვეყნდება.

ხელმოწერა:

სამეცნიერო ანგარიშის კითხვარის დანართი

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება

ლექსიკოგრაფიული ცენტრი

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი

პროფ. თინათინ მარგალიტაძე

გთხოვთ შეიტანოთ დამატებითი ინფორმაცია, რაც არ შესულა სამეცნიერო ანგარიშის ფორმაში (სემინარები, პრეზენტაციები, პროფესიული პუბლიკაციები სამეცნიერო ხელმძღვანელობა, დამოუკიდებელ პროექტში მონაწილეობა, სამეცნიერო მივლინება, საჯარო ლექციები, მიწვევები ...)

№	შესრულებული სამუშაოს თარიღი	განხორციელებული სამუშაოს დასახელება	დამატებითი ინფორმაცია სამუშაოს შესახებ (სამუშაოს სპეციფიურობა, თანამონაწილეები ...)
1.	2015 წლის გაზაფხული	კონკურსი ლექსიკოგრაფიაში	2014 წელს თსუ ინგლისური ფილოლოგიის მიმართულებასთან ერთად გამოცხადდა მორიგი კონკურსი ლექსიკოგრაფიაში. კონკურსში 20 სტუდენტი იღებდა მონაწილეობას. 2015 წლის თებერვალში სტუდენტებს ჩაუტარდათ ტრეინინგები და გადაეცათ საკონკურსო დავალება სიტყვა-სტატიების შესადგენად ინგლისურ-ქართული ლექსიკონისათვის. კონკურსის შედეგები შეჯამდა 2015 წლის აპრილში, გამარჯვებული სტუდენტები დაჯილდოვდნენ პრემიებითა და სერტიფიკატებით. კონკურსი ხელს უწყობს სტუდენტების დაინტერესებას ლექსიკოგრაფიით და მათ კვლევით მუშაობას.

2.	2015 წლის შემოდგომა	კონკურსი ლექსიკოგრაფიაში სკოლის მოსწავლეებისათვის	ლექსიკოგრაფიული ცენტრმა, ქ. თბილისის 24-ე საჯარო სკოლამ და თიბისი ბანკმა გამოაცხადეს კონკურსი ლექსიკოგრაფიაში სკოლის მოსწავლეებისათვის. კონკურსის მიზანია: 1. ორენოვანი ლექსიკონების პოპულარიზაცია ინგლისური ენის ქართველ შემსწავლელებში; 2. ორენოვანი ლექსიკონების მნიშვნელობის წარმოჩენა ქართული ენის სიწმინდის დაცვის თვალსაზრისით და უცხოენოვანი ბარბარიზმების წინააღმდეგ ბრძოლა; 3. მშობლიური ენის მიმართ სიყვარულის და მზრუნველობის გაღვივება ქართველ ახალგაზრდებში, ქართული ენის მდიდარი ლექსიკური შესაძლებლობების წარმოჩენა. 2015 წლის 20 დეკემბერს ჩატარდა კონკურსის პირველი ეტაპი. საკონკურსო დავალება ითვალისწინებდა მოსწავლეების მიერ ინგლისური წინადადებების ქართულად თარგმნას დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონის დახმარებით (www.dict.ge). საკონკურსო დავალება შეასრულა 62 მოსწავლემ, რომელთაგანაც 31 გადავიდა მეორე ტურში. კონკურსის მეორე ტური გაიმართება 2016 წლის იანვარში.

ანგარიში 2015 წლის სამეცნიერო კვლევების შესახებ

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: **მინერალური ნედლეულის, ეკონომიკისა და სტრატეგიული დაგეგმარების სამეცნიერო-კვლევითი განყოფილება**
* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: **ალექსანდრე თვალჭრელიძე**
* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

1. **ალექსანდრე თვალჭრელიძე-** მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, განყოფილების გამგე;
2. ოთარაშვილი მანანა- უფროსი მეცნიერ თანამშრომელი:
3. ნოზაძე იური - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი;
4. კვატაშიძე ირაკლი – წამყვანი ინჟინერი;
5. ქურიძე ლიანა – ინჟინერი;
6. გამყრელიძე გოგა – ლაბორანტი;

I. 1. <u>საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით</u> 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	"საქართველოს მინერალური რესურსების როლი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებისთვის და მათი მომზადება ლიცენზირებისა და ათვისებისთვის". ა)დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო (5-000, - გეოლოგია (5-150, სასარგებლო ნამარხთა ძებნა-ძიების მეთოდები (5-153). ბ)საინჟინრო მეცნიერებები (7-000)-	ალექსანდრე თვალჭრელიძე	1. ოთარაშვილი მანანა 2. ნოზაძე იური 3. კვატაშიძე ირაკლი 4.ქურიძე ლიანა 5.გამყრელიძე გოგა

	სასარგებლო წიაღისეულის დამუშავება (7-180); გ)საინფორმაციო ტექნოლოგიები (1-100). დ)მინერალური რესურსების ეკონომიკა		
პროექტის მიზანია ჩატარდეს საქართველოს მინერალური რესურსების სრული კადასტრიზაცია განხორციელდეს მათი ეკონომიკური შეფასება, შედარებულ იქნას მათი ტექნოლოგიური თვისებები მსოფლიოს ანალოგიურ რესურსებთან და შემუშავდეს მათი მარკეტინგისა და ათვისების სახელმწიფო პოლიტიკა. ასევე, უნდა განხორციელდეს ქვეყნის სამრეწველო დარგების მიკროეკონომიკური მოდელირება საბადოთა თანმიმდევრული ათვისების პირობებში			

I. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	"საქართველოს მეტალური რესურსების ლიცენზირების პოლიტიკისა და ობიექტების სალიცენზიოდ მოსამზადებლად რეკომენდაციების შემუშავება". ა)დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო (5-000, - გეოლოგია (5-150, სასარგებლო ნამარხთა ძებნა-ძიების მეთოდები (5-153). ბ)საინჟინრო მეცნიერებები (7-000)-სასარგებლო წიაღისეულის დამუშავება (7-180);	ალექსანდრე თვალჭრელიძე	1. ოთარაშვილი მანანა 2. ნოზაძე იური 3. კვატაშიძე ირაკლი 4.ქურიძე ლიანა 5.გამყრელიძე გოგა

	გ)საინფორმაციო ტექნოლოგიები (1-100). დ)მინერალური რესურსების ეკონომიკა		

1. დაზუსტდა საქართველოს მეტალური რესურსების მონაცემთა ბაზა
2. განხორციელდა საქართველოს ლითონური და არალითონური რესურსების საბადოებისა და გამოვლინებების კლასიფიკაცია მათი ეკონომიკური მნიშვნელობის მიხედვით
3. განხორციელდა ძებნა-ძიებითი სამუშაოების ჩასატარებლად ტერიტორიების იდენტიფიკაცია და პრიორიტეტების მიხედვით მათი კლასიფიკაცია
4. დაზუსტდა და შეივსო საქართველოში გაცემული ლიცენზიების მონაცემთა ბაზა და განხორციელდა ლიცენზირების პოლიტიკის ეკონომიკური შეფასება
5. შეიქმნა ახალი სამთო-გეოლოგიური კოდექსის პროექტი

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	„ნედლეულის როლი გლობალიზებულ მსოფლიოში: სამეცნიერო კვლევა, ანალიზი და საქართველოს სტრატეგიული ინტერესები“	სსიპ -შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი.	ალექსანდრე თვალჭრელიძე	მანანა ოთარაშვილი-მკვლევარი თამარ ბერბერაშვილი-მკვლევარი

განახლებულია მონაცემთა ბაზა ნავთობის მარაგებზე, წარმოებაზე, მოხმარებაზე, ფასზე, მათემატიკური მოდელები ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ეკონომიკაზე.

განახლებულია მონაცემთა ბაზა გაზის მარაგებზე, წარმოებაზე, მოხმარებაზე.

განახლებულია მონაცემთა ბაზა ნახშირის მარაგებზე, წარმოებასა და მოხმარებაზე

განახლებულია მონაცემთა ბაზა ურანის მარაგებზე, წარმოებასა და მოხმარებაზე; შექმნილია მონაცემთა ბაზა ურანის ფასზე.

განახლებულია მონაცემთა ბაზა რკინის მარაგებზე, წარმოებასა და მოხმარებაზე; შექმნილია მონაცემთა ბაზა რკინის მადნებისა და ფოლადის ფასებზე, ფოლადის წარმოებაზე.

შექმნილია მონაცემთა ბაზა მანგანუმის რესურსებზე, წარმოებაზე, მოხმარებაზე და ფასებზე.

შექმნილია მონაცემთა ბაზა ბოქსიტების რესურსებზე, ბოქსიტების, თიხამიწისა და ალუმინიუმის წარმოებაზე, მოხმარებაზე და ფასებზე.

შექმნილია მონაცეწმთა ბაზა ქრომის, ნიკელის, კობალტისა და ტიტანის მსოფლიო რესურსებზე, მოპოვებაზე, პროდუქციის წარმოებაზე, სინთეზური რუტილის, ღრუბლოვანი ტიტანისა და ტიტანის ორჟანგის წარმოებაზე, ექსპორტსა და იმპორტზე, მსოფლიო ფასებზე.

I. 4.

2	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3		“გეოლოგიის დარგის სიძლიერე ეკონომიკის აღორძინების წინაპირობაა”	თბილისი	143
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

		დასახელება			
			“გეოლოგიის დარგის სიძლიერე ეკონომიკის აღორძინების წინაპირობაა”	თბილისი,საქართველოს მინერალოგიური საზოგადოება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	143
1	ა.თვალჭრელიძე	1.მინერალური რესურსების როლი საქართველოს ეკონომიკაში		გვ. 56-73	18
2	მ. ოთარაშვილი	2. ბუნებრივი რესურსების სისტემატიზაციი (კლასიფიკაციის) ცდა		გვ. 119-121	4
3	ი.ნოზაძე, გ.გამყრელიძე	3. გეოლოგიური სამუშაოების ეკონომიკური ბუნება და მისი აღრიცხვის წესები		გვ. 103-106	4
4	ი. ნოზაძე, ნ. რჩეული-შვილი, ი. კვატაშიძე	4.წიაღის რესურსების მართვასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ზოგიერთი საკითხი და საქართველოს გეოლოგიურ-ეკონომიკური დარაიონება		გვ. 106-112	6
5	ა.თვალჭრელიძე, ი. ყანდაშვილი	კომუნალური სფერო - წყალმომარაგება	პოლიტიკის დოკუმენტი № 1. რეგიონული განვითარების პროგრამა	თბილისი: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, გვ. 141-173	32
6	A.G. Tvalchrelidze, I. Kandashvili	Community sphere – water supply	Policy Paper № 1. Georgia Applied Research Facility		

			for Regional Development (GARF-RD)	Tbilisi: Civil Society Institute, 2015, pp. 277-309	32
7	A.G. Tvalchrelidze, P.J. Kervalishvili	Energy security of the Southern Caucasus: opportunities and challenges	Nanotechnology Perceptions, Vol. 11, 2015, pp. 88-105 Progress in Clean Energy, Vol. 2: Novel Systems and Applications		18
8	A.G. Tvalchrelidze	Chapter 72. Prospects of a settlement in Southern Georgia based on green energy		Heidelberg-New York-Dordrecht-London: Springer International Publishing Switzerland, pp. 1083-1097	14

ა. თვალჭრელიძე

მინერალური რესურსების როლი საქართველოს ეკონომიკაში. სტატიაში განხილულია საქართველოს მინერალური რესურსები და მათი ტექნოლოგიური თვისებები. ნაჩვენებია, რომ საქართველოს აქვს მისი სამრეწველო და ეკონომიკური განვითარებისთვის ყველა აუცილებელი მინერალური რესურსი, მათ შორის მშვენიერი თვისებების მქონე არამადნიანი რესურსები, რომელიც კონცენტრირებულია მსოფლიო მნიშვნელობის საბადოებში. განხილულია მიზეზები, რომლის გამო ვერ ხერხდება ამ რესურსების ჩართვა ქვეყნის ეკონომიკაში და დასახულია ამ ნეგატიური გარემოს აღმოფხვრის საკანონმდებლო და საორგანიზაციო გზები.

მ. ოთარაშვილი ბუნებრივი რესურსების სისტემატიზაციის (კლასიფიკაციის) ცდა

მოხსენების შინაარსს წარმოადგენს მხოლოდ ავტორის საკუთარი მცდელობა ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნების სქემატური კლასიფიკაციისათვის

ი. ნოზაძე, გ. გამყრელიძე

გეოლოგიური სამუშაოების ეკონომიკური ბუნება და მისი აღრიცხვის წესებ

სტატიაში განხილულია ისეთი საკითხები, რომლებიც, მათი ეკონომიკური ბუნებიდან გამომდინარე, დაარეგულირებდა გეოლოგიური საქმიანობის ადგილის დამკვიდრებას ეროვნული მეურნეობის დარგობრივ სისტემაში. იმის გამო, რომ ამ სფეროში დღემდე ვერ მოხერხდა რაიმე დონის ნორმატიულ–სამართლებრივი აქტის მიღება, ბუღალტრულ აღრიცხვაში არ არის გათვალისწინებული დარგის სპეციფიურობა. გადაუჭრელია გეოლოგიური სამუშაოების აღრიცხვისა და მისი კაპიტალიზაციის საკითხები, დაცული არ არის გეოლოგის საავტორო უფლებები. ჩვენი მცდელობა, მიმართული ხარვეზების ნაწილობრივ შევსებისაკენ, ჯერ-ჯერობით უნაყოფოა.

ი.ნოზაძე, ნ. რჩეულიშვილი, ი. კვატაშიძე

წიაღის რესურსების მართვასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ზოგიერთი საკითხი და საქართველოს გეოლოგიურ-ეკონომიკური დარაიონება

სტატიაში განხილულია საკითხი, თუ რამდენად სრულყოფილია საკანონმდებლო ბაზა, რომელიც გეოლოგიური სამუშაოების წარმოებასა და წიაღით სარგებლობას არეგულირებს. წარმოჩენილია წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში არსებული ხარვეზები. მათი გათვალისწინებით შევსებულია ის ნაწილი, რომელიც ეხება საწყისი ფასის დადგენას წიაღით სარგებლობის მოსაკრებლისა და აუქციონის წესით ლიცენზიის გაცემისას. განხილულია მახასიათებლები, რომელებიც გასათვალისწინებელია გეოლოგიური სამუშაოების წარმოების ღირებულების განსასაზღვრავად.

ავტორების მიერ შემუშავებულია საქართველოს ტერიტორიის გეოლოგიურ-ეკონომიკური დარაიონების სქემა. სამუშაოთა წარმოების სირთულის შესაბამისად გამოყოფილია სამი ძირითადი ერთეული.

ა. თვალჭრელიძე და ი. ყანდაშვილი. კომუნალური სფერო - წყალმომარაგება; A.G. Tvalchrelidze and I. Kandashvili. Community sphere – water supply.

სტატიაში ქართულ და ინგლისურ ენებზე განხილულია წყალმომარაგების პოლიტიკური ეკონომია და შემუშავებულია წყალმომარაგების ახალი სახელმწიფო პოლიტიკის მოდელი, რომელიც მთლიანად სინქრონიზებულია ევროკავშირის მოთხოვნებთან.

A.G. Tvalchrelidze and P.J. Kervalishvili. Energy security of the Southern Caucasus: opportunities and challenges

სტატიაში განხილულია სამხრეთ კავკასიის ენერგოუსაფრთხოების საკითხები. ნაჩვენებია, რომ მხოლოდ საერთაშორისო თანამშრომლობის პირობებში შესაძლებელი იქნება რეგიონის მდგრადი ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფა. ასეთი თანამშრომლობის პირობებში მეტად მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს, როგორც რეგიონული და საერთაშორისო ენერგოჰაბის, როლი. სომხეთისა და ზერბაიჯანის გარდა, ამ თანამშრომლობაში უნდა ჩაერთოს თურქეთი და ირანი და ასსეტ პირობებში შესაძლებელი იქნება რუსეთის ავლით ევროპის გაზით მდგრადი მომარაგება

A.G. Tvalchrelidze. Chapter 72. Prospects of a settlement in Southern Georgia based on green energy

შემოთავაზებულია მწვანე ენერგეტიკის გამოყენების სრულიად ახალი მოდელი, რომელიც პირველად მსოფლიოში იქნება ეკონომიკურად რენტაბელური. შემუშავებულია მწვანე ენერგეტიკაზე დაფუძნებული ახალი დასახლების კონცეფცია, სადაც იქნება 100%-იანი დასაქმება, მაღალი ხელფასები, ევროპული ცხოვრების დონე და უაღრესად რენტაბელური სოფლის მეურნეობა და მრეწველობა.

ანოტაციები ქართულ ენაზე

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.	ა. თვალჭრელიძე	**1.მინერალური რესურსების როლი საქართველოს ეკონომიკაში**	სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია გეოლოგიის თანამედროვე პრობლემების შესახებ. “გეოლოგიის დარგის სიძლიერე ეკონომიკის აღორძინების წინაპირობაა”22- 23 აპრილი თბილისი ტექნიკური უნივერსიტეტი
2.	მ. ოთარაშვილი	**2. ბუნებრივი რესურსების სისტემატიზაციის (კლასიფიკაციის) ცდა**	
3.	ი.ნოზაძე, გ. გამყრელიძე	3. **გეოლოგიური სამუშაოების ეკონომიკური ბუნება და მისი აღრიცხვის წესები**	
4.	ი. ნოზაძე, ნ. რჩეულიშვილი, ი. კვატაშიძე	**4.წიაღის რესურსების მართვასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ზოგიერთი საკითხი და**	

		საქართველოს გეოლოგიურ-ეკონომიკური დარაიონება	
5.	მ. ოთარაშვილი	5. მინერალური რესურსების ათვისების პრობლემების და სიახლეების შესახებ	სამთო საქმის და გეოლოგიის აქტუალური პრობლემები მე-2 სამეცნიერო კონფერენცია გრიგილ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი 11 დეკემბერი თბილისი
6.	ი.ნოზაძე, გ.გამყრელიძე, ი. კვატაშიძე	6.მინერალური რესურსების მართვის საკითხები	
7.	ი. კვატაშიძე, რ. კვატაშიძე, მ.კანდელაკი,ნ.გეგია, გ.გამყრელიძე	7.აჭარიის ავტონომიურ რესპუბლიკაში სამთო-მომპოვებელი მრეწველობის განვითარების პერსპექტივები	

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1.ა. თვალჭრელიძე

მინერალური რესურსების როლი საქართველოს ეკონომიკაში. სტატიაში განხილულია საქართველოს მინერალური რესურსები და მათი ტექნოლოგიური თვისებები. ნაჩვენებია, რომ საქართველოს აქვს მისი სამრეწველო და ეკონომიკური განვითარებისთვის ყველა აუცილებელი მინერალური რესურსი, მათ შორის მშვენიერი თვისებების მქონე არამადნიანი რესურსები, რომელიც კონცენტრირებულია მსოფლიო მნიშვნელობის საბადოებში. განხილულია მიზეზები, რომლის გამო ვერ ხერხდება ამ რესურსების ჩართვა ქვეყნის ეკონომიკაში და დასახულია ამ ნეგატიური გარემოს აღმოფხვრის საკანონმდებლო და საორგანიზაციო გზები.

2. მ. ოთარაშვილი -ბუნებრივი რესურსების სისტემატიზაციის (კლასიფიკაციის) ცდა

მოხსენების შინაარსს წარმოადგენს მხოლოდ ავტორის საკუთარი მცდელობა ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნების სქემატური კლასიფიკაციისათვის

3. ი. ნოზაძე, გ. გამყრელიძე

გეოლოგიური სამუშაოების ეკონომიკური ბუნება და მისი აღრიცხვის წესებ

სტატიაში განხილულია ისეთი საკითხები, რომლებიც, მათი ეკონომიკური ბუნებიდან გამომდინარე, დაარეგულირებდა გეოლოგიური საქმიანობის ადგილის დამკვიდრებას ეროვნული მეურნეობის დარგობრივ სისტემაში. იმის გამო, რომ ამ სფეროში დღემდე ვერ მოხერხდა რაიმე დონის ნორმატიულ–სამართლებრივი აქტის მიღება, ბუღალტრულ აღრიცხვაში არ არის გათვალისწინებული დარგის სპეციფიურობა. გადაუჭრელია გეოლოგიური სამუშაოების აღრიცხვისა და მისი კაპიტალიზაციის საკითხები, დაცული არ არის გეოლოგის საავტორო უფლებები. ჩვენი მცდელობა, მიმართული ხარვეზების ნაწილობრივ შევსებისაკენ, ჯერ-ჯერობით უნაყოფოა.

4.ი.ნოზაძე, ნ. რჩეულიშვილი, ი. კვატაშიძე

წიაღის რესურსების მართვასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ზოგიერთი საკითხი და საქართველოს გეოლოგიურ-ეკონომიკური დარაიონება

სტატიაში განხილულია საკითხი, თუ რამდენად სრულყოფილია საკანონმდებლო ბაზა, რომელიც გეოლოგიური სამუშაოების წარმოებასა და წიაღით სარგებლობას არეგულირებს. წარმოჩენილია წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში არსებული ხარვეზები. მათი გათვალისწინებით შევსებულია ის ნაწილი, რომელიც ეხება საწყისი ფასის დადგენას წიაღით სარგებლობის მოსაკრებლისა და აუქციონის წესით ლიცენზიის გაცემისას. განხილულია მახასიათებლები, რომელებიც გასათვალისწინებელია გეოლოგიური სამუშაოების წარმოების ღირებულების განსასაზღვრავად.

ავტორების მიერ შემუშავებულია საქართველოს ტერიტორიის გეოლოგიურ-ეკონომიკური დარაიონების სქემა. სამუშაოთა წარმოების სირთულის შესაბამისად გამოყოფილია სამი ძირითადი ერთეული.

5. მ. ოთარაშვილი- მინერალური რესურსების ათვისების პრობლემების და სიახლეების შესახებ

სტატიის ავტორი შეეხო საქართველოში მინერალური რესურსების ათვისების (მოპოვების) დარგში არსებულ ზოგიერთ პრობლემას და სიახლეს.

ზოგიერთი ნედლეულისადმი ინტერესი საკმაოდ დიდია, როგორც უცხოელი ინვესტორების ასევე სახელისუფლებო სტრუქტურების მხრიდან, (ოქრო, სპილენძი ნავთობი, ქვანახშირი, მანგანუმი და სხვ.) ხოლო ზოგიერთი მეტად მნიშვნელოვანი ნედლეული, რომელთა ათვისებაც ჯეროვნად წაადგებოდა როგორც ქვეყნის ინტერესებს, ასევე მოხსნიდა დასაქმების პრობლემას რეგიონებში პრაქტიკულად მიტოვებულია

უყურადღებოდ.

ჩამონათვალი და გამოყენების სფეროები კი საკმაოდ დიდია.

6. ი.ნოზაძე, გ.გამყრელიძე, ი. კვატაშიძე

მინერალური რესურსების მართვის საკითხები

მოხსენების (სტატიის) ავტორები შეეცადნენ ფართო საზოგადოებას გააცნონ თუ რა მდგომარეობაა მინერალური რესურსების მართვის სფეროში და რა ღონისძიებებია გასატარებელი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

მოხსენებაში განხილული იქნება მინერალური რესურსების ეკონომიკური ბუნება, რომელიც მკვეთრად განსხვავდება სხვა სახის ბუნებრივი რესურსებისაგან (ჰაერი,დაუმუშავებელი მიწა, საძოვრები, ველური მცენარეები, და სხვა). დასაბუთებულია, რომ მინერალური რესურსების მარაგები ეკონომიკურ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელიც გაზომვადი (თვლადია) და არა პროგნოზირებული (C და P კატეგორიები). თუმცა, მისი დათვლის მეთოდიკიდან გამომდინარე არც უმაღლესი კატეგორიის (A და B) მარაგებია ზუსტი.

განხილულია წიაღით მოსარგებლეთა ლიცენზირების საკითხებში არსებული ხარვეზები, კანონქვემდებარე აქტებისა და თვით კონკრეტული კანონების შეუსაბამობა ძირითად, იმპერიალურ კანონთან - „წიაღის შესახებ“. მოხსენებაში განხილულია საკითხი წიაღის, მიწების, მინერალური რესურსების საბადოების კლასიფიკაციისა (სტრატეგიული და ადგილობრივი მნიშვნელობის, საყოველთაოდ გავრცლებული) და კაპიტალიზაციის საკითხები.

განხილულია აგრეთვე მინერალური რესურსების ადმინისტრაციულ მართვაში არსებული ხარვეზები და მათი აღმოფხვრისათვის გასატარებელი ღონისძიებების ჩასატარებლად საჭირო რეკომენდაციები.

7.ი. კვატაშიძე, რ. კვატაშიძე,მ.კანდელაკი, ნ.გეგია, გ.გამყრელიძე.

აჭარიის ავტონომიურ რესპუბლიკაში სამთო- მომპოვებელი მრეწველობის განვითარების პერსპექტივები

სტატიაში განხილულია ოქრის სამრეწველო მარაგების გაზრდისა და იშვიათი მეტალების ნედლეულის ბაზის შექმნის უზრუნველსაყოფად ამ ელემენტების მატარებელი პერსპექტიული მადანგამოვლინებების შესწავლა გამოკვლევა. აღნიშნული საკითხის გადასაჭრელად აჭარის მადნიანი რაიონის წაბლანა-ღომა-ლაშეს მადნიანი ველის ჰიდროთერმალური მეტასომატიტების, როგორც ერთერთი პერსპექტიული გამოვლინების შესწავლა. სამეცნიერო კვლევები ითვალისწინებს წაბლანას გოგოირ კოლჩედანურ საბადოზე და მადნიანი ველის ფარგლებში არსებული მადანგამოვლინებების გოგოირმჟავას წარმოების სანედლეულო ბაზიდან ოქროსა და იშვითი ელემენტების მოპოვების სანედლეულო ბაზაში გადაყვანის საფუძვლების მომზადებას.

განყოფილების გამგე – ა.თვალჭრელიძე

წლიური ანგარიში აკადემიას

*** სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კავკასიის ალ. თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი**

სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრებისა და ჩამდინარე წყლების გაწმენდის სამეცნიერო-კვლევითი განყოფილება

*** სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი** ნესტან გეგია – მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

*** სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:**

კარინე ხაჩატურიანი – უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
ნინო შეყრილაძე - უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
ეკატერინე უკლება – მეცნიერ-თანამშრომელი
გულნაზი ენუქიძე – წამყვანი ინჟინერი
ვახტანგ ბოკუჩავა - წამყვანი ინჟინერი
თორნიკე იმედაძე - წამყვანი ინჟინერი
გიორგი დვალიშვილი – ინჟინერი
თამარ გურული – ინჟინერი
ნელი გეგია – ინჟინერი
ანტონ აფციაური – ინჟინერი
იოსებ ჩალაური – უფროსი ტექნიკოსი
რენე დვალიშვილი - ლაბორანტი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელები	პროექტის შემსრულებლები
	ოქროსშემცველი სპილენძის ოქსიდური მადნების კომპლექსური გადამუშავების ტექნოლოგიის კვლევა და დამუშავება (სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ობიექტის მაგალითზე). საბადოთა წიაღისეულის გამდიდრება უაკ 622.765	ნესტან გეგია ნინო შეყრილაძე	კ. ხაჩატურიანი ე. უკლება
გარდამავალი კვლევითი სამუშაოს ეტაპის შედეგები			
აღნიშნული სამუშაოს 2015 წლის კვლევითი სამუშაოს ეტაპები ითვალისწინებს: გრავიტაციული და ფლოტაციური მეთოდებით ოქროსშემცველი სპილენძის ოქსიდური მადნების გამდიდრების შესაძლებლობის დადგენას და სხვადასხვა პარამეტრების გავლენას გამდიდრების გრავიტაციულ და ფლოტაციურ პროცესებზე; ასევე სპილენძისა და ოქროს ჰიდრომეტალურგიულ გამოტუტვას სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედებით. კლასიფიცირებული (-1.25+0.63 მმ, -0.63+0.315 მმ, -0.315+0 მმ) მასალის გრავიტაციული მეთოდით გამდიდრება განხორციელდა საკონცენტრაციო მაგიდაზე. ტესტირების პროცესში შესწავლილი იქნა სხვადასხვა პარამეტრების გავლენა. დადგენილი იქნა საკონცენტრაციო მაგიდის მუშაობის ოპტიმალური პარამეტრები. შედეგები მოყვანილია ცხრილში		

მასალის დასახელება	პროდუქტის მასური წილი, %	შემცველობა,%		ამოკრეფა,%	
		სპილენძის	ოქროს	სპილენძის	ოქროს
მძიმე ფრაქცია	6.3	1.32	0.7	12.4	13.8
მსუბუქი ფრაქცია	75.3	0.55	0.28	61.6	66.0
გადანადენი	18.4	0.95	0.35	26.0	20.2
საწყისი	100.0	0.67	0.32	100.0	100.0

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, გრავიტაციული მეთოდით სპილენძისა და ოქროს დაკონცენტრირება მძიმე ფრაქციაში არ ხდება, რაც იმას ნიშნავს, რომ სპილენძისა და ოქროს ნაწილაკები ძალიან წმინდა სახით არიან ჩაწინწკლულები და მათი მნიშვნელოვანი რაოდენობა მსუბუქ ფრაქციასა და გადანადენში იკარგება, ამიტომ აღნიშნული მადნებისათვის გამდიდრების გრავიტაციული მეთოდი მისაღები არ არის.

ოქროსშემცველი სპილენძის ოქსიდური მადნების კომპლექსური გადამუშავების ტექნოლოგიის შესარჩევად გათვალისწინებული იქნა ლითონების შემდეგი თვისებები: სპილენძი არის ოქროს დეპრესანტი ციანირების პროცესში, ამავე დროს მადანში სპილენძის ათეულობით მინერალია, რომელთა ქცევა ციანირებისას სხვადასხვანაირია; არსებობს ასეთი მადნების გადამუშავების სხვადასხვა ვარიანტები, რომლებიც ტექნოლოგიის ორ ძირითად მიმართულებას ასახავენ:

- სპილენძის წინასწარი გამოყოფა ფლოტაციით და ფლოტაციის კუდების ციანირება ოქროს ამოსაღებად;
- ჰიდრომეტალურგიული პროცესი – მადნების გამოტუტვა და ორივე ლითონის გადაყვანა ხსნარში.

ოქროსშემცველი სპილენძის ოქსიდური მადნების ფლოტაცია ჩატარდა მექანიკურ მანქანაზე. დადგენილი იქნა დაფქვის ხარისხი. გამოცდილი იქნა სხვადასხვა რეაგენტები: სპილენძის ოქსიდური მადნების სულფიდიზაციისთვის ჩვენს მიერ გამოყენებული იქნა ნატრიუმის სულფიდი და ნატრიუმის ჰიდროსულფიდი, რომელიც მასალას ემატებოდა დაფქვის პროცესში. ფლოტაციის პროცესში შემკრებად გამოყენებული იქნა ბუთილის ქსანტოგენატი და ბუთილის აეროფლოტი, ხოლო ამქაფებლად ფიჭვის ზეთი და TT-66. ფლოტაცია ჩატარებული იქნა სხვადასხვა რეჟიმში: იცვლებოდა რეაგენტენტები და მათი რაოდენობა, აგიტაციის დრო, პულპის pH. სპილენძისა და ოქროს მაქსიმალური ამოკრეფა ფლოტაციით ძალიან დაბალია 24 და 38 პროცენტი, ანუ სპილენძის მინერალების სულფიდიზაციას ადგილი არ ქონდა. ვინაიდან ფლოტაციით მიღებული შედეგები ძალიან დაბალია, წარმოდგენილი მადნების გამდიდრება ფლოტაციური მეთოდით მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ოქროს შემცველი სპილენძის ოქსიდური მადნების გამდიდრებისათვის ყველაზე მისაღები აღმოჩნდა ჰიდრომეტალურგიული მეთოდი. დადგენილი იქნა აღნიშნული მადნების ჰიდრომეტალურგიული მეთოდით გამდიდრების შესაძლებლობა. სპილენძის გამოსატუტად გამოცდილი იქნა სხვადასხვა გამხსნელები: გოგირდმჟავა, მარილმჟავა, ნატრიუმის ციანიდი და თიოშარდოვანა. ტესტირება ჩატარდა სხვადასხვა პირობებში: იცვლებოდა გამხსნელის კონცენტრაცია, მასალის სისხო,

ტემპერატურა, მყარისა და თხევადის თანაფარდობა და გამოტუტვის დრო.

გოგირდმჟავის გამოყენებისას მიღებული იქნა სპილენძის გამოტუტვის მაღალი შედეგები; სპილენძის გამოტუტვის კეკიდან ოქროს გამოსატუტად გამოცდილი იქნა თიოშარდოვანა და ნატრიუმის ციანიდი; შედეგები საკმაოდ მაღალია. ექსპერიმენტები ამ მიმართულებით გრძელდება.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	Ekaterine Ukleba Nino Shekriladze Nestan Gegia Marlen Mchedlishvili	Processing of the technology of dressing of copper-gold ore ქიმიის სერია	№ 1-2, ტომი 41	თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე	144-147
2.	ნ. გეგია ნ. შეყრილაძე დ. ტალახაძე	საზანოს ველის პეგმატიტების გამდიდრების ტექნოლოგიის დამუშავება სამთო ჟურნალი	1 (34)	თბილისი, საქართველოს სამთო საზოგადოება	38-41
3.	ო.კავთელაშვილი ნ. გეგია ნ. შეყრილაძე	საზანოს ველის პეგმატიტებში იშვიათი მეტალების – ტანტალისა და ნიობიუმის არსებობის შესახებ სამთო ჟურნალი	1 (34)	თბილისი, საქართველოს სამთო საზოგადოება	42-43
4.	К.К. Хачатурян Н. А. Гегия Г. Ш. Энукидзе Е. Н. Уклеба	Исследование некоторых технологических параметров бентонитовых глин ქიმიის სერია	№ 1-2, ტომი 41	თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე	154-159

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნ. გეგია კ. ხაჩატურიანი გ. ენუქიძე რ. კვატაშიძე ე. უკლება	საქართველოს გეოლოგიის თანამედროვე პრობლემების შესახებ	თბილისი ტექნიკური უნივერსიტეტი	143
1.საქართველოს ბენტონიტური თიხების წარმოების განვითარების ისტორია და მათი რესურსული ბაზის მდგომარეობა მოცემულია ბენტონიტური თიხების მოკლე დახასიათება, მითითებულია მათი ძირითადი სპეციფიკური თვისებები და გამოყენების სფეროები. აღწერილია საქართველოს ბენტონიტური თიხების წარმოების განვითარების ისტორია და მათი რესურსული ბაზის მდგომარეობა, მოყვანილია ბენტონიტების მსოფლიო მარაგებისა და მოპოვების შესახებ ზოგიერთი ინფორმაცია.				

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნესტან გეგია	საქართველოს ბენტონიტური თიხების წარმოების განვითარების ისტორია და მათი რესურსული ბაზის მდგომარეობა	23-24 აპრილი თბილისი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2	კარინე ხაჩატურიანი	კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის როლი ბენტონიტური თიხების შესწავლაში, მათი მნიშვნელობისა და გამოყენების აქტუალობის დადგენაში	11 დეკემბერი თბილისი გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი

1. დახასიათებული იქნა ბენტონიტური თიხები, მათი ძირითადი სპეციფიკური თვისებები და გამოყენების სფეროები. გადმოცემული იქნა საქართველოს ბენტონიტური თიხების წარმოების განვითარების ისტორია და მათი რესურსული ბაზის მდგომარეობა, გაკეთდა მოკლე ინფორმაცია ბენტონიტების მსოფლიო მარაგებისა და მოპოვების შესახებ.

2. გამოკვლეულია საქართველოს სხვადასხვა საბადოს ბენტონიტური თიხები: აგრეთვე შესადარებლად შესწავლილია ვაიომინგის (აშშ), საბერძნეთისა და ციხისუბნის (ასკანთიხა და ასკანგელი) ბენტონიტური თიხები.
   დადგენილია, რომ დაბალხარისხიანი ტუტემიწა ბენტონიტების მოდიფიცირება ქიმიური რეაგენტების განსაზღვრული კომბინაციებით შესაძლებელს ხდის არსებითად გავზარდოთ მათი უაღრესად მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური მაჩვენებელი – გაჯირჯვებადობა, რის შედეგადაც ისინი ფართო გამოყენებას ჰპოვებენ შავი მეტალურგიისა და მანქანათმშენებლობის წარმოებებში, თიხის საბურღი ხსნარების მოსამზადებლად და სხვა. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს წიაღი მდიდარია ტუტემიწა ბენტონიტური თიხების მარაგებით.

დაწესებულება თუ საჭიროდ თვლის, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ამა წლის 10 ივნისს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ნესტან გეგიას მიერ დაცული იქნა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: საზანოს პეგმატიტების გამდიდრების რაციონალური ტექნოლოგიის შემუშავება".

განყოფილებას მოგებული აქვს სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ორი გამარტივებული ელექტრონული ტენდერი ნიმუშების საანალიზოდ მომზადებისა და კონსულტაციებისთვის.

ააიპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი იქნა ასკანის ბენტონიტური თიხა, რომელზეც დამკვეთის მოთხოვნით ჩატარდა ფიზიკურ-ქიმიური ანალიზი და დადგენილ იქნა წარმოდგენილი ბენტონიტური თიხის სტრუქტურული ფორმულა.

განყოფილებაში შესრულდა 46000 ლარზე მეტი თანხის არასაბიუჯეტო სამუშაოები.

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი
საინჟინრო-გეოლოგიური, გეოფიზიკური და ჰიდროგეოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი განყოფილება

განყოფილების გამგე ნოდარ რჩეულიშვილი

განყოფილების პერსონალური შემადგენლობა:
ნოდარ ფალავანდიშვილი, ლია ზუბაშვილი, ანზორ მესხია, ლალი კობესაშვილი, ნესტორ კაცაძე, გურამ როდონაია, თემურ ცაგარელი

I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

I. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ჰიდროგეოლოგიური საფუძვლების მომზადება მარნეულის რაიონის ფერმერულ მეურნეობებში სარწყავი მიწისქვეშა წყლების ავტონომიური სისტემების შესაქმნელად. ჰიდროგეოლოგია სასოფლო-სამეურნეო მელიორაცია	ნოდარ რჩეულიშვილი	ნოდარ ფალავანდიშვილი, ლია ზუბაშვილი, გურამ როდონაია

2	მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემის აჭარა-თრიალეთის ზონის გეოფიზიკური (გრავიტაციის და მაგნიტური ველის) რუკების შედგენა და მათი ინტერპრეტაცია; დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები – გეოფიზიკა	ანზორ მესხია	ლალი კობესაშვილი, ნესტორ კაცაძე, თემურ ცაგარელი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები

1.

საანგარიშო წელს ჩატარებული სამუშაოები, მარნეულის რეგიონში, ალტერნატიული, ავტონომიური, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი, მცირე სარწყავი სისტემების, საექსპლუატაციო რესურსით უზრუნველყოფას ისახავდა მიზნად.

კვლევები მიმდინარეობდა, როგორც უკვე გამოვლენილი სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის გამოუსადეგარი მიწისქვეშა წყლების წყალაღების პუნქტებზე, ასევე, წარმოებდა მათი საველე მოძიება. სამუშაოების შედეგებმა დასახეს გარკვეული პერსპექტივები:

ა. სოფელ დოლისყანაში, სუსტად მინერალიზებული ჭაბურღილიდან, საირიგაციო არხების წყლისათვის მიუწვდომელ ტერიტორიებზე, წვეთოვანი ტექნოლოგიის გამოყენებით, საკარმიდამო ნაკვეთების, მორწყვის შესაძლებლობა.

ბ. სოფელ ბაიდართან, მდ.ხრამის ჭალაში მიტოვებული ჭაბურღილის რეზერვით, მცირე დასახლებაში (25 კომლამდე), სასმელ-სამეურნეო და სარწყავი წყლის დეფიციტის მოგვარება.

გ. საველე სამუშაოების შედეგად, მდ.ალგეთის ჭალის პირველ ტერასაზე, გამოვლინდა წყალაღების პუნქტი. მისი წარმადობის საექსპლუატაციო მინიმუმი, 15კუბ.მ/სთ, არსებული სატუმბი ტექნიკის რესურსით შემოიფარგლა. ქიმიურმა ანალიზმა, არაკონდიციური, სულფატ-იონებით გაჯერებული, შემცველობა გამოავლინა. მისი მოხმარება, დემინერალიზაცია-კონდიცირების პროცესების გავლის შემდეგაა შესაძლებელი. სოფელ ჯანდარას საკომლო მიწების, 200 ჰა-ზე მეტი ურწყავი ფართების წყალმომარაგების პრობლემის გადაწყვეტა, გამოვლენილი წყალაღების პუნქტის სრულყოფილ ჰიდროგეოლოგიურ მონიტორინგს მოითხოვს.

2.

საანგარიშო წელს ჩატარებული კვლევის მიზანს წარმოადგენდა აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის გრავიტაციის და მაგნიტური ველის რუკების შედგენა და მათი ინტერპრეტაცია.

ჩატარებული კვლევის შედეგად შედგენილ იქნა გრავიტაციის და მაგნიტური ველის 1:200 000 მასშტაბის რუკები. შესწავლილ იქნა აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის აღმოსავლეთი ნაწილის სიღრმული აგებულება, ტექტონიკური სტრუქტურები და არსებული მაგმური სხეულები.

II. 1. პუბლიკაციები:
ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	ნ.რჩეულიშვილი, რ.კვატაშიძე, ნ.ფალავანდიშვილი, ლ.ზუბაშვილი, ნ.ენუქიძე	მცირემიწიან ფერმერულ მეურნეობებში მიწისქვეშა წყლების სარწყავად მოხმარების პერსპექტივები (მარნეულის რეგიონის მაგალითზე); შრომათა კრებული: საქართველოს გეოლოგიის თანამედროვე პრობლემების შესახებ.	-	თბილისი, 2015წ, „ტექნიკური უნივერსიტეტი“	*5 (გვ.122-126)*
2.	ი.ნოზაძე, ნ.რჩეულიშვილი, ი.კვატაშიძე	წიაღის რესურსების მართვასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ზოგიერთი საკითხი და საქართველოს გეოლოგიურ-ეკონომიკური დარაიონება. შრომათა კრებული: საქართველოს გეოლოგიის თანამედროვე პრობლემების შესახებ.	-	თბილისი, 2015წ, „ტექნიკური უნივერსიტეტი“	6 (გვ. 106-111)

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. საფონდო და ექსკლუზიურ მონაცემებზე დაყრდნობით, განხილულია ჰიდროგეოლოგიური წინაპირობები, რომელნიც პოზიტიურ ფონსა ქმნიან, მარნეულის რეგიონში, მცირემიწიან ფერმერულ მეურნეობებში, მიწისქვეშა წყლებით მომარაგებული, ლოკალური, ავტონომიური სარწყავი სისტემების შესაქმნელად. წყლის ეკონომიური მოხმარების მიზნით, რეკომენდებულია მორწყვის წვეთოვანი ტექნოლოგიების გამოყენება. მაღალმინერალიზებული წყლების დემინერალიზაცია-კონდიცირების პროცესის რენტაბელური წარმოება, უკუოსმოსის მეთოდითაა მიჩნეული.
2. განხილულია საკანონმდებლო ბაზა, რომელიც გეოლოგიური სამუშაოების წარმოებასა და წიაღით სარგებლობას არეგულირებს. შემუშავებულია საქართველოს ტერიტორიის გეოლოგიურ-ეკონომიკური დარაიონების სქემა. გამოყოფილია სამი ძირითადი ერთეული.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნ.რჩეულიშვილი	“მცირემიწიან ფერმერულ მეურნეობებში მიწისქვეშა წყლების სარწყავად მოხმარების პერსპექტივები (მარნეულის რეგიონის მაგალითზე)”.	სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: საქართველოს გეოლოგიის თანამედროვე პრობლემების შესახებ, 23-24 აპრილი, 2015 წელი, თბილისი.

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

მოხსენებაში, მდიდარი საილუსტრაციო-გრაფიკული მასალის თანხლებით, განხილული იყო, ამავე დასახელების სტატიაში წარმოჩენილი საკითხები.

დანართი

1. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი მე-4) და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წესდების (პუნქტი მე-5) თანახმად ატარებს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სამეცნიერო საქმიანობის წლიური ანგარიშებისა და დასრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ექსპერტიზას;

2. ექსპერტიზაზე წარმოდგენილი სამეცნიერო საქმიანობისა და დასრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ანგარიში სრულად უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ შემდეგ ფორმებს.

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება

კმნი, ტესტირების ლაბორატორია „გეოანალიტიკა“

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი

ქიმიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, მთავარი მრცნიერ თანამშრომელი გულნარა თოდრაძე

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა

1. ახალბედაშვილი ლალი;
2. თოდრაძე გულნარა;
3. ლორია ნათელა;
4. ჩხეტიანი ნათელა;
5. სურგულაძე რუსუდანი;
6. ჯანაშვილი ნონა.

I. 1. <u>საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით</u> 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
(ეხება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული			

შედეგები (ქართულ ენაზე)

I.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	***საქართველოს ბუნებრივი წიაღისეული მასალების შესწავლა ზოგიერთი მავნე კომპონენტებისაგან წყლების და ნიადაგების გასაწმენდად გამოყენების მიზნით***	ლალი ახალბედაშვილი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი	ახალბედაშვილი ლალი; თოდრაძე გულნარა; ლორია ნათელა; ჩხეტიანი ნათელა; სურგულაძე რუსუდანი; ჯანაშვილი ნონა.

განისაზღვრა სხვადასხვა მოდიფიცირებული კლინოპტილოლითის (CL) 12 ნიმუშის დინამიკური სორბციური ტევადობა (დსტ), რომელიც სხვადასხვა გარდამავალ მეტალთა იონებისათვის იცვლება 0.76-დან 1.88-მდე მგ-ექვ/გ. გაანგარიშებულია სორბციის და განაწილების კოეფიციენტები, გახტომის სიდიდე და ა.შ.

განხორციელდა ახლად დამზადებული ნიმუშების რფა, ეპრ-კვლევა და სრული ქიმიური ანალიზი.

დადგინდა მოდიფ. CL და მორდენიტის (Mt) ნიმუშებისათვის მოდელური წყალხსნარებიდან Pb, Cu, Zn-ის სორბციის ოპტიმალური პირობები: დისპერსულობის ხარისხი 0.25÷0.04, მოდელური ხსნარის კონცენტრაცია 0.1 M, თანაფარდობა ცეოლითი/ხსნარი 1/20.

დადგინდა კათიონმოდიფიცირებული CL, Mt ნიმუშების იონმიმოცვლითი სორბციის ოპტიმალური რეჟიმის Hg, Mn, Sn და Cd-ის იონების მიმართ, კერძოდ დისპერსულობის ხარისხის, კონცენტრაციის, ცეოლითი/ხსნარი თანაფარდობის გავლენა სორბციულ ტევადობაზე, სორბციის და განაწილების კოეფიციენტზე, სორბციის კინეტიკაზე.

გამიზნული იყო ამინებით მოდიფიცირებული CL, Mt და Dt-ის იონმიმოცვლითი სორბციის შესწავლა Cd^{2+}-ის მიმართ, შესაბამისი მახასიათებლების გაანგარიშება და შთანთქმის ოპტიმალური რეჟიმის შემუშავება. დადგინდა, რომ ცეოლითის დამუშავება ეთანოლამონით არ ახდენს გავლენას Cd^{2+}-ის ადსორბციაზე კადმიუმის ქლორიდის 0.01 M ხსნარიდან.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1				
დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

I. 4.

2	პროექტის დასახე-	დამფინანსებელი	პროექტის	პროექტის

	ლება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	ორგანიზაცია	ხელმძღვანელი	შემსრულებლები
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გ.მაისურაძე, შ.სიდამონიძე, ლ.ახალბედაშვილი, ნ.ტაყაიშვილი.	საქართველოს ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგი და ხარისხობრივი მდგომარეობა. საქართველოს ქიმიური	ტ.15, №1, 2015	თბილისი, გამ. „უნივერსალი“	7

2	რ. სურგულაძე	ჟურნალი. ბუნებრივი გააქტივებული და კათიონ ჩანაცვლებული მონტმორილონიტის ადსორბციულ სტრუქტურული დახასიათება და გამოყენების სფეროები. საქართველოს ქიმიური ჟურნალი.	ტ.15, №1, 2015	თბილისი, გამ. „უნივერსალი“	4

1.წარმოდგენილია საქართველოში ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის სისტემა. სადამკვირვებლო სადგურების განთავსება და ზოგიერთი მათგანის განახლება. ატმოსფეროში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობა.

2.წარმოდგენილი სამუშაო ჩატარებულია საქართველოს მონტმორილონიტონური თიხის ასკანგელის ბუნებრივი, გააქტივებული და კათიონმიმოცვლითი გზით მიღებული ნიმუშების ადსორბციულ-სტრუქტურული დახასიათების მიზნით. იზოთერმიდან ჩანს, რომ გააქტივებული ასკანგელის შტანთქმითი უნარი საგრძნობლად მეტია ვიდრე ბუნებრივი და კათიონმოდიფიცირებული ნიმუშების.

II. 2. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი,	გვერდების რაოდენობა

			გამომცემლობა	
1	ლ.ახალბედაშვილი, რ.კვატაშიძე, გ.თოდრაძე, ნ.ლორია, ნ.ჯანაშვილი, ს.ჯალაღანია	ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის IV საერთაშორისო კონფერენციის მასალათა კრებული	იონხ-ი, ერევანი, 2015	3
გარდამავალ მეტალთა კათიონების შემცველი ცეოლითების შესწავლა ეპრ-მეთოდით ძალზე პერსპექტიულია, ვინაიდან იძლევა საშუალებას განისაზღვროს მეტალის იონის პოზიცია, ლიგანდური გარემოცვა და მუხტი. ამ სამუშაოში შესწავლილია ბუნებრივი ცეოლითის – კლინოპტოლოლითის მიდიფიცირების პირობების გავლენა სტრუქტურის შენარჩუნებაზე და გარდამავალ მეტალთა კათიონების მდგომარეობაზე, ლოკალიზაციაზე და კოორდინაციური გარემოცვა რფა და ეპრ-მეთოდებით.				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გ.მაისურაძე, შ.სიდამონიძე, ლ.ახალბედაშვილი, რ.კვატაშიძე	Modified Natural Zeolites as Catalysts for Catalytic Reduction of NO with CO—Main Components of Exhaust Gases. Journal of Environmental Science and Engineering	11B	Inc., USA David Publishing Company	9
ვტოტრანსპორტის გამონაბოლქვის ტოქსიკური კომპონენტების NO და CO დაწვის ეფექტური კატალიზატორის მიღების მიზნით შესწავლილია საქართველოს საბადოებიდან მოპოვებული ბუნებრივი ცეოლითების –კლინოპთილოლითის და მორდენიტის კათიონმოდიფიცირებული (Cu- და Fe-შემცველი) ფორმები ჟანგვა-აღდგენითი თვისებების შესწავლა აზოტის მონოოქსიდის სელექტიურ კატალიზურ აღდგენაში CO-თი. ნაჩვენებია, რომ NO და CO მოლეკულებს შორის რეაქცია მიმდინარეობს გარდამავალი კათიონების კოორდინაციულ სფეროში შუაკედური ნიტროზული და კარბონილური კომპლექსების წარმოქმნით.					

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნინო გაგნიაშვილი, ლალი ახალბედაშვილი	წყლების გაწმენდა დარიშხანის იონებისაგან ბუნებრივი სორბენტების გამოყენებით	26 ოქტომბერი, 2015, თბილისი
2	ს.ჯალაღანია, მ. კვინიკაძე, ვ.კირაკოსიანი,ლ.ახალბედაშვილი, გ.თოდრაძე, ნ.ლორია, ნ.ჯანაშვილი	შავ ზღვაში ჩამდინარე საქართველოს მდინარეების ეკოლოგიური მდგომარეობის დახასიათები	18-19 მაისი, 2015, თბილისი
1. მოცემულ სამუშაოში მომზადდა და შესწავლილ იქნა ბუნებრივი ცეოლითების ბაზაზეზე დამზადებული სორბენტები დარიშხანის მოძრავი ფორმების წყლებიდან შტანთქმისათვის. შედეგებმა აჩვენეს, რომ სორბციური აქტიურობა არსენატ [AsO_4^{3-}, As(V)] და არსენიტ [AsO_3^{3-}, As(III)] იონების მიმართ დამოკიდებულია პირველ რიგში კომპოზიტების თერმოქიმიურ დამუშავებაზე, მოდელური ხსნარის კონცენტრაციაზე, დისპერსულობაზე და ნარევის pH-ზე. 2. საქართველოს გეოეკოლოგიური მდგომარეობა გამოწვეულია 3 სახის ტექნოლოგიური დაბინძურებით: გეოქიმიურით, ჰიდროქიმიურით და ბიოქიმიურით. საავტომობილო ტრანსპორტი და გზები მძიმე მეტალებით დაბინძურების ერთ–ერთ უმსხვილეს წყაროს წარმოადგენს.მძიმე მეტალების მაღალი შემცველობები დამახასიათებ შენაკადებისთვის, რომლებიც განლაგებულნი არიან მდ.რიონის სათავეებში. რაც შეეხება ტყვიას, მისი შემცველობა შედ მაღალია მდ. რიონის მარცხენა შენაკადებში (განსაკუთრებით ზედა ნაწილში), ვიდრე იმ მდინარეებში, რომლებიც უერ		

მდ.რიონს კოლხეთის დაბლობზე.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	გ. თოდრაძე, ლ.ახალბედა-შვილი, რ.კვატაშიძე, ნ.ლორია, ნ.ჯანაშვილი, ს.ჯალაღანია	К возможности применения модифицированных форм клиноптилолита в воздухе от сернистого газа	7-10 ოქტომბერი, 2015, კიევი
2	ლ.ახალბედაშვილი, რ.კვატაშიძე, გ.თოდრაძე, ნ.ლორია, ნ.ჯანაშვილი, ს.ჯალაღანია	РФА и ЭПР исследование ионообменных форм природного цеолита клиноптилолита из месторождений Грузии и Армении	14-18 სექტემბერი 2015, ერევანი

1. SO_2-ის ადსორბცია პირდაპირ ხაზოვან დამოკიდებულებაშია კლინოპტილოლითის მაღალ შემცველობაზე ცეოლითურ ტუფში (70-90%). თვით ცეოლითის სორბციული მახასიათებლების შეცვლის განმსაზღვრელი ფაქტორი არის დეალუმინირების პროცესი, რომელიც დამოკიდებულია მოდიფიცირების რეჟიმზე. მოდიფიცირებული კლინოპტილოლითის მაქსიმალური ტევადობა SO_2-ის ადსორბციის დროს აღწევს 73.8 მგ/გ.
2. გარდამავალ მეტალთა კათიონების შემცველი ცეოლითების შესწავლა ეპრ-მეთოდით ძალზე პერსპექტიულია, ვინაიდან იძლევა საშუალებას განისაზღვროს მეტალის იონის პოზიცია, ლიგანდური გარემოცვა და მუხტი. ამ სამუშაოში შესწავლილია ბუნებრივი ცეოლითის – კლინოპტოლოლითის მიდიფიცირების პირობების გავლენა სტრუქტურის შენარჩუნებაზე და გარდამავალ მეტალთა კათიონების მდგომარეობაზე, ლოკალიზაციაზე და კოორდინაციური გარემოცვა რფა და ეპრ-მეთოდებით.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1				
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

IV. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1				
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

დაწესებულება თუ საჭიროდ თვლის, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

დამატებითი აქტივობები:

1) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის საგამოცდო ცენტრმა "გეოანალიტიკა" 2015 წლის ნოემბერში მიიღო აკრედიტაციის მოწმობა მასზედ, რომ ის აკმაყოფილებს ეროვნულის სტანდარტის სსტ ისო/იეკ 17025:2010-ის მოთხოვნებს მთელ რიგ სფეროებში.

2) საანგარიშო პერიოდში "გეონალიტიკის" მიერ დადებულ იქნა 52 ხელშეკრულება, საერთო თანხით 99523.5 ლარის ოდენობით.

ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (2 ეგზემპლარად) და ელექ-ტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დებულების მე-2 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.

ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მინერალური ნედლეულის კავკასიის ა.ა.თვალჭრელიძის სახელობის ინსტიტუტის ენერგეტიკული რესურსებისა და ახალი ტექნოლოგიების განყოფილება

განყოფილების გამგე: ასლან სულაძე

განყოფილების პერსონალური შემადგენლობა:
მთ. მეცნ. თანამშრომელი ასლან სულაძე

განყოფილების უფრ. მეცნ. თანამშრომელი: ვახტანგ გელაძე
უფრ. მეცნ. თანამშრომელი: ვახტანგ იორაშვილი
უფრ. მეცნ. თანამშრომელი: რევაზ კვატაშიძე
უფრ. მეცნ. თანამშრომელი: ზაურ კილასონია
უფრ. მეცნ. თანამშრომელი: ნოდარ ცერცვაძე
წამყვანი ინჟინერი იური ნოზაძე (უმც.)

I. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	აღმოსავლეთ საქართველოს მეზოკაინოზოური ასაკის წყებების ნავთობგაზიანობის შეფასება ნავთობისა და გაზის გეოლოგია და გეოქიმია.	ზაურ კილასონია	ზაურ კილასონია ვახტანგ იორაშვილი ასლან სულაძე
მინერალური ნედლეულის ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის კავკასიის ინსტიტუტში შემუშავებული და დამკვიდრებული კატაგენეზის თეორიის გათვალისწინებით ადრე მიღებული შედეგების გათვალისწინებით გრძელდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს მეზოკაინოზოური ნავთობგაზიანობის შეფასება. რეგიონში გავრცელებული დანალექი წყებებიდან აღებული იქნა შესაბამისი სინჯები დანალექი წყებების კატაგენეზის ხარისხის დასადგენად და დასაზუსტებლად.			
2	საქართველოს ჰიდროთერმული წყაროების შესახებ მასალების შეგროვება. ჰიდროგეოლოგია, მინერალური წყლები	ნოდარ ცერცვაძე	ნოდარ ცერცვაძე რევაზ კვატაშიძე
გრძელდებოდა საქართველოს ჰიდროთერმული წყაროების შესახებ მასალების მოძიება, და შემდგომში მათი პრაქტიკული გამოყენების შეფასება			

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	აღმოსავლეთ საქართველოს ღრმად დაძირული მეზოკაინოზოური ნალექების ნავთობგაზიანობის პერსპექტივების შეფასება	სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ასლან სულაძე	ლალი ახალბედაშვილი მირიან თოფჩიშვილი ვახტანგ იორაშვილი
გრძელდებოდა გრანტის მე-4 და მე-5 პერიოდებში გათვალისწინებული ამოცანების შესრულება. მიღებული იქნა კონკრეტული შედეგები, მათ შორის კატაგენეზის ხარისხის დაზუსტებული მაჩვენებლები. აგებული იქნა შესაბამისი გრაფიკები და გეოლოგიური ჭრილები, გამოიხაზა კატაგენეზის რუკები.				

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ასლან სულაძე მაია ჭიჭინაძე	აღმოსავლეთ საქართველოში ღრმად დაძირული ნალექების ნავთობგაზიანობის პერსპექტივების შესახებ, ჟ. "თსუ მეცნიერება", 2015	№7	თბილისი	2
2	Aslan Suladze Maia Chichinadze	Oil and Gas Composition Perspectives for Deeply Burried Sediments in Eastern Georgia J. TSU Science, 2015	№7	Tbilisi	2
მოცემულია მონაცემები აღმოსავლეთ საქართველოს შესაძლო ნავთობგაზიანობის შესახებ, განსაკუთრებით კატაგენეზის თეორიის გათვალისწინებით					

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	რევაზ კვატაშიძე	კატაგენეზის კვლევები მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტში	2015 წლის 21 აგვისტო ქ.თბილისი
2	ასლან სულაძე	ნ.ასლანიკაშვილი - კატაგენეზის შესახებ სწავლების თვალსაჩინო მკვლევარი	2015 წლის 21 აგვისტო ქ.თბილისი
3	ასლან სულაძე	ნ.ასლანიკაშვილის ინსტიტუტის თემატიკის გარე სამეცნიერო ინტერესები	2015 წლის 21 აგვისტო ქ.თბილისი
4	ასლან სულაძე მაია ჭიჭინაძე	კატაგენეზის კვლევებში მონათესავე მეცნიერებათა მონაცემების გამოყენების შესახებ	2015 წლის 21 აგვისტო ქ.თბილისი
5	ვახტანგ იორაშვილი ზაურ კილასონია	ნ.ასლანიკაშვილის ღვაწლი თბილისის მიდამოების ნავთობგაზიანობის კვლევებში	2015 წლის 21 აგვისტო ქ.თბილისი
6	ზაურ კილასონია ვახტანგ იორაშვილი	ნ.ასლანიკაშვილის საექსპედიციო სამუშაოების კარტოგრაფია	2015 წლის 21 აგვისტო ქ.თბილისი
7	მაია ჭიჭინაძე	პალინოლოგიური ანალიზის შესახებ (ზოგადი მოკლე მიმოხილვა)	2015 წლის 21 აგვისტო ქ.თბილისი

	მოხსენებათა ანოტაციები
1.	მოცემულია მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტში კატაგენეზის კვლევების დამკვიდრების მოკლე ისტორია
2.	გადმოცემულია ნ.ასლანიკაშვილის როლის შესახებ საქართველოში კატაგენეზის კვლევების დამკვიდრებაში.
3.	მოცემულია ცნობები ნ.ასლანიკაშვილის იმ სამეცნიერო ინტერესების შესახებ, რომლებიც სცილდებოდნენ ინსტიტუტის თემატიკას.
4.	მოთხრობილია კატაგენეზის კვლევებში მონათესავე მეცნიერებათა მონაცემების გამოყენების შესახებ.
5.	მოთხრობილია თბილისის მოდამეობის ნავთობგაზიანობის კვლევებში ნ.ასლანიკაშვილის როლის შესახებ.
6.	გამოცემულია მონაცემები ნ.ასლანიკაშვილის საველე-საექსპედიციო სამუშაოების შესახებ.
7.	მოთხრობილია კატაგენეზის კვლევებში პალინოლოგიური ანალიზის გამოყენების შესახებ.

სხვა აქტივობები

1. რევაზ კვატაშიძე ----- ინსტიტუტის დირექტორი
2. ასლან სულაძე არის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, ასრულებს საქართველოს საინჟინრო აკადემიის გეოლოგიისა და სამთო საქმის განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოადგილის მოვალეობებს, არის ჟურნალ "საქართველოს ნავთობი და გაზი" სარედაქციო კოლეგიისა და სარედაქციო საბჭოს წევრი.

სამეცნიერო საქმიანობის ამსახველი წლიური ანგარიში
(01.01.2015 – 31.12.2015)

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი,
სილიკატების და სამშენებლო მასალების სამეცნიერო-კვლევითი განყოფილება

2. განყოფილების გამგე - ელენა შაფაქიძე

თანამშრომლები:

უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - იოსებ გეჯაძე
მეცნიერ თანამშრომელი - ლამარა გაბუნია
მეცნიერ თანამშრომელი - იზოლდა ქამუშაძე
მეცნიერ თანამშრომელი - ვერა მაისურაძე
მეცნიერ თანამშრომელი - მარინე ნადირაშვილი
მეცნიერ თანამშრომელი - ევგენი ხუჭუა
წამყვანი ინჟინერი - ლევან ვაწაძე

I. 1. <u>საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით</u> 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

II. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	**პროექტის სათაური:** „მრავალკომპონენტიანი, დაბალენერგოტევადი მჭიდა მასალების მიღება და შესწავლა ადგილობრივი მთის ქანებისა და საწარმოო ნარჩენების გამოყენებით, აგრეთვე მათ საფუძველზე მშრალი სამშენებლო ნარევების შემუშავება სხვადასხვა დანიშნულების	ელენა შაფაქიძე	იოსებ გეჯაძე მარინე ნადირაშვილი ვერა მაისურაძე ლამარა გაბუნია იზოლდა ქამუშაძე ევგენი ხუჭუა ლევან ვაწაძე

	ბეტონების და სამშენებლო ხსნარებისათვის“ **მეცნიერების დარგი:** საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები (3) **სამეცნიერო მიმართულება:** სამშენებლო მასალები და ნაკეთობები (3-104)		

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 2015 წლის კალენდარული გეგმის მიხედვით გათვალისწინებული სამუშაოები, კერძოდ, მოძიებული და გაანალიზებული იქნა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილება მშრალი სამშენებლო ნარევების მიღებისა და პრაქტიკაში მათი გამოყენების თაობაზე. შერჩეული იქნა ადგილობრივი მასალები, რომელთა ჩანაცვლებით შესაძლებელი გახდებოდა უცხოური ანალოგების შეცვლა.

ინსტიტუტის გეოლოგიური ჯგუფის მიერ საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონიდან (დმანისი, თეთრიწყარო, ბოლნისი) ჩამოტანილი იქნა ვულკანური ქანები.

შერჩეული და შეძენილი იქნა კლინკერი, ცემენტი, სამშენებლო კირი და თაბაშირი.

ჩატარდა ჩამოტანილი და შეძენილი მასალების დახარისხება, ფიზიკურ-მექანიკური გადამუშავება (შრობა, დამსხვრევა, დაფქვა, გასაშუალება და ა.შ.) და ასევე ჩატარდა ქიმიური და პეტროგრაფიული და რენტგენოფაზური ანალიზები.

შედგენილი იქნა მშრალი სამშენებლო ნარევების (წებოცემენტების, საბათქაშე, სადუღაბე და საფითხნი მასალების) კაზმები. შესწავლილი იქნა მიღებული მასალების ფიზიკურ-მექანიკური და სამშენებლო-ტექნიკური თვისებები (სიმტკიცეზე კუმშვაზე და ღუნვაზე, შეკვრის ვადები, სიცოცხლისუნარიანობა, ადგეზია, ყინვამედეგობა და ა.შ.).

მიღებული მშრალი სამშენებლო ნარევების ფიზიკურ-მექანიკური და სამშენებლო-ტექნიკური თვისებების შესწავლა გაგრძელდება 2016 წელს.

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1				

დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

I. 4.

1	ქვემო ქართლის რიოლითური და დაციტური შედგენილობის პიროკლასტური ქანების (იგნიმბრიტების, პემზის და ფერფლის ტუფების, ვულკანური ფერფლის) გეოლოგიურ-ტექნოლოგიური შესწავლა-შეფასება, მათი ცემენტის, ფერადი მინის და კერამიკის წარმოებაში გამოყენების მიზნით. № AR/103/9 – 150/13 , 04.04.2014–04.04.2016	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ელენა შაფაქიძე	გურამ ნადარეიშვილი მურად ტყემალაძე იოსებ გეჯაძე

საანგარიშო პერიოდში (01.01.2015-31.12.2015წ.წ.) შესრულებული იქნა პროექტის II და III პერიოდის სამუშაოები:

_შესწავლილი და გამოვლენილი ქვემო ქართლის პიროკლასტური ქანები, რომლებიც მაღალი ჰიდრავლიკური აქტიურობისთ ხასიათდებიან და მოხდა მათი კლასიფიკაცია.

_საკვლევი ქანების გამოყენებით შემუშავებული იქნება რიგითი და პუცოლანური პორტლანდცემენტების შემადგენლობები, შესწავლილი იქნება მათი ძირითადი სამშენებლო-ტექნიკური თვისებები და ჰიდრატაციის პროცესები.

_მომზადდა საპატენტო განაცხადი და მიღებულია **პატენტი სასარგებლო მოდელზე: „პუცოლანური პორტლანდცემენტის შემადგენლობა“ № 13763/02, 2015**.

_შემუშავდა მაღალი სილიკატური მოდულის მქონე ცემენტის კაზმების რეცეპტურები.

_შემუშავდა ავანტურინის, შინდისფერ-მოყავისფრო ზედაპირულ აფსკიანი და ფერადი დახშული მინების ახალი შემადგენლობების და მიღების ტექნოლოგიები.

_შემუშავდება კერამიკული ფილების მიღების ახალი რეცეპტურები.

_გრანტის თემატიკაზე მომზადდა და ორი პუბლიკაცია:

1. ცემენტის კლინკერის სილიკატური მოდულის რეგულირების შესაძლებლობების კვლევა ადგილობრივი მჟავე ვულკანური ქანების გამოყენებით.
2. სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს რკინაშემცველი მჟავე ქანების შესწავლა დახშული მინების მისაღებად.

II. 1. პუბლიკაციები:

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ე.შაფაქიძე, ი.გეჯაძე, მ.ნადირაშვილი, ვ.მაისურაძე, გ.ნადარეიშვილი, მ.ტყემალაძე	ცემენტის კლინკერის სილიკატური მოდულის რეგულირების შესაძლებლობების კვლევა ადგილობრივი მჟავე ვულკანური ქანების გამოყენებით / საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია	ტ.41, N1-2	თბილისი	6

ლაბორატორიულ პირობებში გამოკვლეულია ბოლნისი-დმანისის ადგილმდებარეობის მჟავე ვულკანური ქანების გამოყენებით ცემენტის კლინკერის ნედლეულის კაზმში თიხის ნაწილობრივი ჩანაცვლების შესაძლებლობა, რაც სილიკატური მოდულის აწევის საშუალებას იძლევა 1.7-დან 2.3-მდე.

ექსპერიმენტულად დადგენილია, რომ სილიკატური მოდულის მომატება არ იწვევს კლინკერის შეცხობის ტემპერატურის გაზრდას, რაც სავარაუდოდ განპირობებულია მჟავე ვულკანური ქანების მაღალი რეაქციისუნარიანობით: ვულკანური მინისა და მზა სილიკატების შემცველობით.

მიღებული ცემენტები გამოირჩევიან მაღალი მექანიკური სიმტკიცით გამყარების 3 თვის შემდეგ, მაღალი ხანმედეგობით და კოროზიული მედეგობით.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2	ი.ქამუშაძე, ლ.გაბუნია, ე.შაფაქიძე, ი.გეჯაძე	სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს რკინაშემცველი მჟავე ქანების შესწავლა დახშული მინების მისაღებად / საქართველოს კერამიკოსთა ასოციაციის ჟურნალი "კერამიკა"	N 2(37)	თბილისი	4

შესწავლილ იქნა სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს რკინაშემცველი მჟავე ქანების (კაზრეთის, მუშევანის, გუგუთის და არაქელის ადგილმდებარეობის ტუფების) გამოყენების შესაძლებლობა თეთრი და ფერადი დახშული მინების მისაღებად. ამ ქანების საფუძველზე შემუშავდა კაზმების ოპტიმალური შემადგენლობები. გამოვლინდა, რომ რკინაშემცველ მინებში ინტენსიურ დახშობას იწვევს KH_2PO_4, კალციუმიან ფოსფატებს შორის კი უკეთესია $Ca_3(PO_4)_2$. რკინის ოქსიდების არსებობა აფერხებს მკვეთრი თეთრი ფერის რეალიზებას. შემღებავების დამატებით მიიღება ფერადი დახშული მინები. შემუშავებული შემადგენლობები ხასიათდებიან დადებითი ტექნოლოგიური და საექსპლუატაციო

პარამეტრებით.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლო ბა	გვერდებ ის რაოდენ ობა
3	რ.სხვიტარიძე, ე.შაფაქიძე, ი.გიორგაძე, შ.ვერულავა	საქართველოში ეკო - და ენერგოეფექტური საშენი მასალებით მშენებლობის პრობლემები და ტექნოლოგიები,მდ.დურუჯის, „ეკოგენურად განახლებადი ნატანი“ თიხაფიქლის გამოყენებით/ ჟ."ენერგია"	N 4(76)	თბილისი	7

ნაკვლევის თემა შენობათა ენერგოეფექტურობა და ქ.ყვარლის ეკოლოგიური საფრთხის პრევენციაა. გაჟღერებული აზრები და დასკვნები არაა ემოცია/მოსაზრებათა შედეგი, არამედ ეფუძნება „სტუ“ – ს/ც“ნანოდუღაბი“, „თსუ“ –ა.თვალჭრელიძის „კმნი“, „კ.ზავრი-ევის სეისმოცენტრში“ ჩატარებულ კვლევებს, ქართულ/უცხოურ ფირმათა მშენებლობებ-ზე პრაქტიკული გამოყენებით მიღებულ მტკიცებულებებს. ენერგომატარებლეთა გაძვი-რებამ, შენობის გათბობა–გაგრილების ხარჯთა შესამცირებლად, საქართველოში საჭირო გახადა ენერგოეფექტური საშენი მასალის კერამზიტის წარმოება/მოხმარების აღდგენა, რაც ჩვენი აზრით უნდა განხორციელდეს მდ.დურუჯის ხეობაში დაგროვილი 15 მლნ.მ^3 „ეკოგენურად განახლებადად ნატანი“ თიხაფიქლის, რომელიც ამჟამად ქმნის ქ.ყვარლის „წალეკვის რისკს“, გამოტანა–გადამუშავებით. თიხაფიქალს მდგრადი განვითარების ხე-ლშემწყობ საბაზო ნედლეულად მივიჩნევთ, რადგან ჩატარებული კვლევებით დადგინ-და, რომ მისგან შეიძლება დამზადდეს 1,5მლრდ $ ღირებულების ბაზარზე მოთხოვნადი სამშენებლო მასალები.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლო ბა	გვერდებ ის რაოდენ ობა
1	E.Shapakidze, R.Skhvitaridze, I. Gejadze, V. Maisuradze, M.Nadirashvili, E.Khuchua	Study Of Alluvium Shales (Falling Rocks Of Caucasian Ridge, Generated As A Result Of Sill-Mudflows), As A Pozzolanic Additive For Cement / ეროვნული აკადემიის ჟურნალი „მოამბე“	გადაცემულია პუბლიკაცი-ისთვის	თბილისი	7

გამოკვლეულია კავკასიის ქედის ღვარცოფული ნაკადის შედეგად წარმოშობილი ნაშალი თიხაფიქალების ნატანის გამოყენების შესაძლებლობა ცემენტის პუცოლანური დანამატის სახით. ამ მიზნით თიხაფიქალების შესწავლა ჩატარადა ქიმიური, რენტგენოფაზური და დიფერენციალურ-თერმული ანალიზების მეთოდებით, რომლებმაც გამოავლინეს გახურების შედეგად თიხაფიქალების ფაზური გარდაქმნების ტენდენცია 20 - 1250 ^{0}C-ის ინტერვალში.

თიხაფიქალების გამოწვა ხდებოდა 600, 800 და 1250 ^{0}C ტემპერატურებზე 1 სთ. დაყოვნებით

მაქსიმალურ ტემპერატურაზე. ფიზიკურ-მექანიკურმა გამოცდებმა აჩვენა, რომ სიმტკიცის საუკეთესო მაჩვენებლებით ხასიათდებიან ცემენტები, რომელთაც დაემატა 10 - 35 მას.% თიხაფიქალი, წინასწარ გამომწვარი 800 ^{0}C ტემპერატურაზე.

ზემოთხსენებული საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში საქართველოს, ასევე ახლომდებარე ქვეყნების (აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი) ცემენტის წარმოებები უზრუნველყოფილი იქნება ხარისხიანი და, ამავე დროს, იაფი პუცოლანური დანამატით, ხოლო მაღალი რისკის რეგიონებში შენარჩუნებული იქნება ეკოლოგიური წონასწორობა.

საანგარიშო პერიოდში (01.01.2015 – 31.12.2015):

1. მომზადდა საპატენტო განაცხადი და მიღებულია პატენტი სასარგებლო მოდელზე: „პუცოლანური პორტლანდცემენტის შემადგენლობა“ № 13763/02, 2015.
2. საგამოცდო ცენტრს „გეოანალიტიკა“-ს მიენიჭა აკრედიტაციის მოწმობა: № GAC-TL-0117, რომელიც აკმაყოფილებს SST ISO/IEC 17025:2010 -ის მოთხოვნებს. სილიკატების და სამშენებლო მასალების სამეცნიერო-კვლევითი განყოფილების ლაბორატორია აქ წარმოდგენილია როგორც ფიზიკურ-მექანიკური გამოცდების ჯგუფი.
3. შესრულებულია არასაბიუჯეტო სახელსეკრულებო სამუშაოები 19094 ლარის.

დანართი

2015 წლის წლიური ანგარიში (აკადემიისათვის)

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი;

გეოეკოლოგიის და გამოყენებითი გეოქიმიის სამეცნიერო-კვლევითი განყოფილება

- სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი

მურმან კვინიკაძე — გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, განყოფილების გამგე

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა

დიმიტრი პატარიძე — გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

დავით ყუფარაძე — გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

ვიოლეტა კირაკოსიანი — მეცნიერ-თანამშრომელი

ნინო ხუნდაძე — მეცნიერ-თანამშრომელი

ირმა ილურიძე — ინჟინერი

I. 1. <u>საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით</u> 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

I. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	”აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიის კომპ-	მურმან კვინიკაძე	დიმიტრი პატარიძე, დავით ყუფარაძე, ვიოლეტა კირა-

	ლექსური გეოეკოლოგიური შესწავლა-შეფასება”		კოსიანი, ნინო ხუნდაძე, ირმა ილურიძე

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები

განყოფილების საბიუჯეტო თემატიკა ”აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიის კომპლექსური გეოეკოლოგიური შესწავლა-შეფასება”, დაიწყო 2015 წლის 1 იანვრიდან. განყოფილების თანამშრომლების მიერ თემატიკის სათაურიდან გამომდინარე აუცილებელი იყო საველე სამუშაოების ჩატარება, რომელიც განხორციელდა 14 სექტემბრიდან 28 ოქტომბრის ჩათვლით (45 დღე). საველე სამუშაოების ჩატარებამდე განყოფილების თანამშრომლების მიერ დამუშავებული იქნა ფონდური და გამოქვეყნებული ლიტერატურა, როგორც საერთო გეოეკოლოგიის მიმართულებით, ასევე კონკრეტულად დასახელებული რეგიონის და თემატიკის გარშემო (დამუშავებული მასალების ჩამონათვალი და მათი მოკლე ანოტაციები ინახება განყოფილებაში). როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, 2015 წლის 14 სექტემბრიდან 28 ოქტომბრის ჩათვლით, ქ.ქ. ბორჯომის, ქარელის და ხაშურის ტერიტორიების ფარგლებში ჩატარებული იქნა საველე სამუშაოები. ამ სამუშაოების დროს აღწერილი და აღებული იქნა 142 გეოეკოლოგიური სინჯი (30-წყლის, 30 ფსკერული ნალექის, 62 ნიადაგის და 20 ბიოსინჯი მცენარეული საფარიდან), ამავე დროს დასახელებულ ტერიტორიებზე გაზომილი იქნა რადიაციული ფონი. აღებული სინჯები დახარისხებული და მომზადებული იქნა განყოფილების თანამშრომლების მიერ და გადაეცა ინსტიტუტის ქიმიურ ლაბორატორიას საანალიზოდ.

II. 1. პუბლიკაციები:

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	კვინიკაძე მ., პატარიძე დ., ყუფარაძე დ., კირაკოსიანი ვ., ხუნდაძე ნ.	”მდინარე რიონის აუზის გეოეკოლოგიური პრობლემები ”	საქართველოს მინერალოგიური საზოგადოება ”გეოლოგიის დარგის სიძლიერე ეკონომიკის აღორძინების წინაპირობაა”. შრომათა კრებული.	თბილისი, 2015, საქართველოს ტეხნიკური უნივერსიტეტი, კოსტავას ქ. №77	5 გვერდი (გვ. 81-85)
2.	დ.პატარიძე, მ.კვინიკაძე, დ.ყუფარაძე, ვ.კირაკოსიანი, ნ.ხუნდაძე	”აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიის რადიაციული ეკოლოგია. ”	საერთაშორისო კონფერენცია ”თანამედროვე მასალები და ტექნოლოგიები. მოხსენებათა	თბილისი, 2015, გამომცემლობა ”უნივერსალი”	5 გვერდი (გვ. 290-294)

3.	მ.კვინიკაძე, დ.პატარიძე, დ.ყუფარაძე, ვ.კირაკოსიანი, ნ.ხუნდაძე	”გეოეკოლოგია როგორც ერთ-ერთი მიმართუ-ლება გეოლოგი-აში ”	კრებული მე-2 სამეცნიერო კონფერენცია ”სამთო საქმის და გეოლოგიის აქტუალური პრობლემები”	თბილისი, 2015	2 გვერდი (15-16 გვ)

ანოტაციები

1. 2010-2012 წლებში ჩატარებული კომპლექსური გეოეკოლოგიის კვლევების შედეგად, ჩვენს მიერ დადგენილია, რომ მდინარე რიონის აუზის წყლებისა და ფსკერული ნალექებში, მძიმე და ტოქსიკური ელემენტების შემცველობები (Cu, Pb, Zn, Ni, Co, Cd, Mn, As) ბევრად აღემატება ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას (ზდკ). ძირითადი დამაბინძურებელი ობიექტებია ცანა-ლუხუნის დარიშხანის, ჭიათურის მანგანუმის საბადოები და ნაგავსაყრელები. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო ნიადაგებს, მათი დაბინძურება ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტებით, შერჩევით ხასიათს ატარებს და დამახასიათებელია დასახელებული საბადოებისა და გამამდიდრებელი კომბინატების არეალში მოხვედრილი ტერიტორიებისათვის. ამ ელემენტების ჭარბი რაოდენობა ფიქსირდება იმ მცენარეების სახესხვაობებში (სიმინდი, ლობიო და სხვა), რომლებიც გამოიყენება, როგორც შინაური ცხოველების საკვებად, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის რაციონში. ჩვენს მიერ ჩატარებულმა რადიაციულმა გაზომვებმა აჩვენა, რომ წინა წლებთან შედარებით (როცა დიდი იყო ჩერნობილის **აეს**-ის აფეთქებით გამოწვეული რადიაციული დაჭუჭყიანება), ამჟამად შემცირებულია და ლოკალურ ხასიათს ატარებს. ბუნებრივი რადიაცია, რომელიც ამ რეგიონში ფიქსირდება, ძირითადად დაკავშირებულია მეზოზოურ და კაინიზოურ გარანიტოიდებთან და ლიასურ ნახშირიან ფიქლებთან.

2. სტატიაში განხილულია დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში 2008-2010 წლებში, ჩატარებული რადიოეკოლოგიური სამუშაოების შედეგები. დახასიათებულია, როგორც ბუნებრივი, ასევე ტექნოგენყური ანომალიების გამომწვევი მიზეზები. ბუნებრივი ანომალიების არსებობა ძირითადად დაკავშირებულია ძირულის გრანიტების ბოლო ფაზის კალიუმიან პეგმატიტებთან, ასევე ცალკეულ პატარ-პატარა მჟავე დაიკურ წარმონაქმნებთან. ტექნოგენური სახის ანომალიები ესაა ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აფეთქების შედეგად, ჯერ კიდევ შემორჩენილი, ცალკეული მცირე ზომის კერები და სამრეწველო ქალაქებისათვის დამახასიათებელი ანტროპოგენული ზემოქმედებით გამოწვეული მცირე გამოვლინებები.

3. როგორც ცნობილია, ეკოლოგია შეისწავლის ადამიანის მიერ ზემოქმედებას გარემო პირობებზე. სამრეწველო კომპლექსების, მეგაპოლისების, ნავთობის და გაზის სადენების და სხვა ტექნოგენურად დაჭუჭყიანების გამომწვევ მიზეზებს. ხშირ შემთხვევაში მის მიღმა რჩება ისეთი პროცესები, როგორიცაა ბუნებრივი და ტექნოგენური ანომალიების (რადიაციული, გეოქიმიური, ბიოგეოქიმიური და სხვა) ზემოქმედება, მიწისძვრების, მეწყერების, ღვარცოფების და სხვა ბუნებრივი პროცესებით გამოწვეული ეკოლოგიური კატასტროფები. ყველა ჩვენს მიერ, ზემოთ ჩამოთვლილ პროცესებს, გეოეკოლოგია შეისწავლის. გამომდინარე აქედან ჩვენ მიგვაჩნია რომ:

— გეოეკოლოგია, ისევე როგორც გეოტექტონიკა, გეოქიმია, გეოფიზიკა და სხვა, გეოლოგიური მეცნიერების ერთერთი მიმართულებაა. მას საფუძვლად უდევს

გეოლოგიური გარემოს, როგორც ეკოსისტემის განუყოფელი ნაწილის შესწავლა. გეოლოგიური გარემო კი თავისთავად წარმოადგენს ლანდშაფტის აბიოტურ საფუძველს, რომელიც განაპირობებს ტერიტორიის ეკოლოგიურ მდგრადობას და მის ევოლუციურ განვითარებას. ლანდშაფტების სისტემების ფუნქციონირება ძირითადად დამოკიდებულია ნიადაგის ფენისა და მიწისქვეშა წყლების ურთიერთქმედებაზე. ნიადაგის ფენა ძირითადი ქანების დაშლის პროდუქტია, ხოლო მიწისქვეშა წყლები ამ ფენის მიკროელემენტებით — მკვებავი წყარო. საბოლოოდ იქმნება სისტემა "წყალი - ქანი", რომელიც წარმოადგენს აუცილებელ კომპონენტს ბიოსფეროს განვითარებისათვის. ამიტომ ამ სისტემის ხელოვნურად დაჭუჭყიანება დიდ პრობლემებს უქმნის ადამიანის არსებობას.

— გეოეკოლოგია — კომპლექსური მეცნიერებაა, რომელიც მოიცავს გეოლოგიის ისეთ დარგებს როგორიცაა: ჰიდროგეოლოგია, საინჟინრო გეოლოგია, გეოტექტონიკა, გეოფიზიკა, გეოქიმია, ბიოგეოქიმია და სხვა. მისი ძირითადი მიზანია, როგორც ტექნოგენური დაჭუჭყიანებული რაიონებისა და ტერიტორიების ეკოლოგიური შესწავლა, ასევე ბუნებრივი ეკოანომალიების გამოვლენა და მათი აღმოფხვრის კრიტერიუმების შემუშავება.

— გეოეკოლოგიური მდგრადობის შენარჩუნების პრობლემების კვლევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება გეოლოგიური გარემოს ატმოსფეროსა და ჰიდროსფეროსთან ურთიერთქმედების დონის განსაზღვრას. ამ საკითხების გადაჭრისათვის კი აუცილებელია ჩატარდეს გეოეკოლოგიურ კარტირება. ამ სამუშაოების დროს მიღებული შედეგების საფუძველზე, დგება გეოეკოლოგიური მახასიათებლების ინტეგრალური რუკები, რომლებსაც ეკოლოგიური მდგომარეობის შემფასებელი კარტოგრაფიული დოკუმენტის მნიშვნელობა აქვს.

— გეოეკოლოგიური რუკის შედგენა რამოდენიმე ეტაპს მოიცავს. პირველ ეტაპზე წვრილმასშტაბიანი (1:1000000, 1:500000) რუკების შედგენა არის საჭირო. მათი დანიშნულებაა გეოეკოლოგიური გარემოს ფონური მდგომარეობის განსაზღვრა და ამავე დროს იმ რეგიონების გამოყოფა, რომლებისთვისაც დამახასიათებელია ამ ფონური მდგომარეობიდან გადახრა. მეორე ეტაპზე გათვალისწინებულია საშუალო მასშტაბიანი (1:200000, 1:100000) გეოეკოლოგიური რუკების შედგენაა. ამ სამუშაოს მიღებული ინფორმაცია უნდა ასახავდეს გეოლოგიური გარემოს ბუნებრივ და ტექნოგენურ დაჭუჭყიანების შედეგებს (ჩვენი აზრით ეს სამუშაოები დაფინანსებული უნდა იქნას სახელმწიფოს მიერ). მესამე ეტაპი მოიცავს მსხვილმასშტაბიანი (1:50000, 1:25000, 1:10000 და უფრო მსხვილი) გეოეკოლოგიური რუკების შედგენას. ეს მასშტაბი ითვალისწინებს სამუშაოების ჩატარებას იმ რაიონებში ან უბნებზე, სადაც დიდია ეკოლოგიური დაძაბულობა ან შექმნილია კრიზისული მდგომარეობა.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მურმან კვინიკაძე	"მდინარე რიონის აუზის გეოეკოლოგიური პრობლემები"	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 23-24 აპრილი, 2015 წ

2.	მურმან კვინიკაძე	”დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის რადიაციული ეკოლოგია”	საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, 21-23 ოქტომბერი 2015 წ
3.	მურმან კვინიკაძე	”გეოეკოლოგია როგორც ერთ-ერთ- მიმართულება გეოლოგიაში”	11 დეკემბერი, 2015 წ. სსიპ გრიგოლ წულუქიძის სამთო ისტიტუტი

მოხსენებათა ანოტაციები

მოხსენებათა მოკლე შინაარსი მოცემულია ზემოთ მოყვანილ სტატიების ანოტაციებში.

დაწესებულება თუ საჭიროდ თვლის, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

1. გეოეკოლოგიის და გამოყენებითი გეოქიმიის გამყოფილებამ (განყოფილების გამგემ, მ.კვინიკაძემ) მიიღო მონაწილეობა ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი 2015 წლის სამეცნიერო ფორუმისადმი გამოცხადებულ კონკურსში, სადაც მის მიერ წაკითხული იქნა საკონკურსო მოხსენება თემაზე ”საქართველოს ტერიტორიის გეოეკოლოგიური თავისებურებანი”. მოხსენების ფარგლებში წარმოდგენილი იქნა საქართველოს ტერიტორიის 1:500 000 მასშტაბის გეოეკოლოგიური რუკა, რომელზედაც ნაჩვენებია დღეისათვის არსებული გეოეკოლოგიური მდგომარეობა.

2. 2015 წლის 3 ივლისს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შედგა მურად ტყემალაძის სადოქტორო დისერტაციის დაცვა თემაზე: ”ბოლნისის მადნიანი რაიონის გვიანცარცული ექსტრუზივების და მათი შემცველი ქანების გეოლოგიური კვლევა, მინისა და ცემენტის ნედლეულად ვარგისიანობის მიზნით”.

დისერტაციის ერთ-ერთი ოპონენტი იყო მურმან კვინიკაძე. მის მიერ მოცემულ რეცენზიაში განხილულია წარმოდგენილი სამეცნიერო შრომის ხუთივე თავის ანალიზი. ოპონენტის მიერ საბოლოო დასკვნაში მოკლედ და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული შესრულებული სამეცნიერო შრომის ძირითადი საკითხები. მოცემულია როგორც მეცნიერული სიახლე ასევე ეკონომიური პოტენციალი. აქვე გვინდა მცირე შენიშვნის სახით დავამატოთ, რომ სასურველი იქნებოდა ავტორის მიერ ორიოდე სიტყვით აღნიშნული ყოფილიყო მიღებული ნედლეულის — მინის ტარისა და ცემენტის ეკოლოგიური ვარგისიანობა.

დისერტაცია შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე, მასში გამოყენებული მეთოდები შეესაბამება დღეისათვის მიღებულ სტანდარტებს, ხოლო მიღებული შედეგები ეჭვს არ იწვევს, რადგან ყველა სამუშაო შესრულებულია ისეთი მაღალი დონის ლაბორატორიებში, როგორიც გააჩნია ტექნიკური უნივერსიტეტს და კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტს.

3. 2015 წლის 18 ნოემბერს, კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის ფარგლებში ჩატარდა სამეცნიერო სესია მიძღვნილი ამავე ინსტიტუტის გეოეკოლოგიის და გამოყენებითი გეოქიმიის განყოფილების დაარსებიდან

15 წლისადმი. განყოფილების გამგემ წაიკითხა მოხსენება განყოფილების მიერ გაწეული სამუშაოების შესახებ. აღნიშნული იქნა, რომ განყოფილების დაარსებიდან დღემდე, განყოფილების თანამშრომლების მიერ ჩატარებულია სხვადასხვა სახის გეოეკოლოგიური სამუშაოები, კერძოდ:

- შედგენილი იქნა სხვადასხვა დანიშნულების და მაშტაბის (1:500 000, 1:2500000, 1:1000000) გეოეკოლოგიური რუკები;

- კომპლექსურად (წყლის, ფსკერული ნალექების, ნიადაგის, მცენარეული საფარის ეკოგეოქიმია, რადიაციული ფონის გაზომვით) შესწავლილი იქნა შავი ზღვის და მისი სანაპირო ზოლის, აგრეთვე მდინარე რიონის აუზის გეოეკოლოგიური მდგომარეობა;

- მონაწილეობა გვაქვს მიღებული, სხვადასხვა დიამეტრის გაზის მაგისტრალური ხაზის (ყაზბეგი-წიტელი ხიდი) და ავტომაგისტრალის (იგოეთი-გორის), მადნეულის საბადოს ეკოლოგიურ შეფასებაში;

- ამჟამად განყოფილება მუშაობს თემაზე: აღმოსავლეთ საქართველოს (ბორჯომი-წითელი ხიდი) მონაკვეთის კომპლექსურ გეოეკოლოგიურ შესწავლა-შეფასების საკითხებზე.

სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი, რეგიონალური გეოლოგიური კარტირების სამეცნიერო-კვლევითი განყოფილება.

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: განყოფილების გამგე – მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, გეოლ.-მინერ. მეცნ. დოქტ. გურამ ნადარეიშვილი

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა: უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი – როზალია კოფმანი; მეცნიერ-თანამშრომელი – ვაჟა ნადირაძე; მეცნიერ-თანამშრომელი – ნელი ოდიკაძე; მეცნიერ-თანამშრომელი – ჰამლეტ სალუქვაძე; წამყვანი ინჟინერი – მურადი ტყემალაძე; წამყვანი ინჟინერი – მანანა გავაშელიშვილი; წამყვანი ინჟინერი – ზურაბ ლოლაძე; ინჟინერი – ნელი ნასრაშვილი; ინჟინერი – მაია აფხაზავა; ინჟინერი – ნინო კობახიძე.

I. 1. <u>საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით</u> 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
(ეხება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	"აჭარა-თრიალეთის ქედის დასავლეთი ნაწილის გეოლოგიური აგებულების და განვითარების ისტორიის შესწავლა, ახალი თაობის 1:200 000 მასშტაბის განახლებული სახელმწიფო გეოლოგიური რუკების კომპლექტის შედგენისა და გამოსაცემად მომზადების მიზნით" მეცნიერების დარგი – გეოლოგია; სამეცნიერო მიმართულება – გეოლოგიური კარტირება, ვულკანოლოგია, ლითოლოგია.	გეოლ.-მინერ. მეცნ. დოქტ. გურამ ნადარეიშვილი	გ. ნადარეიშვილი რ. კოფმანი ვ. ნადირაძე ნ. ოდიკაძე ჰ. სალუქვაძე მ. ტყემალაძე მ. გავაშელიშვილი ზ. ლოლაძე ნ. ნასრაშვილი მ. აფხაზავა ნ. კობახიძე
ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები - შედგენილია ტექსტობრივი ნაწილი, რომელიც მოიცავს ზედა ცარცული,			

პალეოგენური ოლიგოცენური ნეოგენური და მეოთხეული ნალექების სტრატიგრაფიულ აღწერას;

- შემუშავდა პალეოგენური ნალექების ლითოსტრატიგრაფიული სქემა, რომელიც წინამორბედი სქემებისაგან საკმაოდ განსხვავებულია;
- არსებული გეოლოგიური მასალის ანალიზის საფუძველზე დაზუსტდა ნეოგენური და მეოთხეული ნალექების სტრატიგრაფიული სქემა;
- აეროკოსმოდეშიფრირების შედეგად დაზუსტებულია და რიგ შემთხვევაში ახლებურად არის გააზრებული საკვლევი ტერიტორიის ტექტონიკური აგებულება;
- დადგინდა რიგი ვულკანური ქანის (ტრაქიტების, ტრაქიანდეზიტების) ფონოლითების ვარგისიანობა საამშენებლო მასალებად, მინის ტარის, კერამიკის, ცემენტის და მოსაპირკეთებელ ნედლეულად გამოყენების მიზნით;
- დადგენილია რიგი ცენტრალური ტიპის მსხვილი ვულკანური ცენტრების (ზოტის, სერბაისი-ნაჯიხურას, მერისის, ვაკიჯვრის ნამონასტრევის და სხვ.) არსებობა, რომლებთანაც დაკავშირებულია სხვადასხვა ტიპის მეტალური გამადნებები;
- 2015 წლის საველე პერიოდში სოფელ საათლოს შემოგარენში შესრულდა 1:10 000 მასშტაბის გეოლოგიური აგეგმვა ამავე მასშტაბის გეოლოგიური რუკის და ლითოლოგიური ჭრილების შედგენით. აღებულ იქნა წარმომადგენლობითი სინჯები ქანთა ტექნოლოგიური შესწავლის და მათი ცემენტის, მინის ტარის და კერამიკის ნედლეულად გამოყენების ვარგისიანობის თვალსაზრისით.

I. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	„საქართველოს მინერალური რესურსების და გეოლოგიური გარემოს ინფორმაციული სისტემების შექმნა.“ მეცნიერების დარგი – გეოლოგია; სამეცნიერო მიმართულება – ტექტონიკა, სასარგებლო წიაღისეულის საბადოების გეოლოგია.	ვ. ნადირაძე	ვ. ნადირაძე რ. კოფმანი
ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			

ანგარიშში განხილულია გეოლოგიური რუკების შედგენის თეორიული საფუძვლები. ახლებურადაა წარმოდგენილი კავკასიის, რომლის ნაწილსაც საქართველო წარმოადგენს, გეოლოგიური განვითარების პროცესი, რაც საქართველოს გეოლოგიურ რუკაზეა ასახული. საქართველოს წიაღისეულის რუკაზე წარმოდგენილია ქვეყნის მინერალურ-სანედლეულო ბაზა. მინერალური წყლების რუკა სხვადასხვა ტიპის მინერალური წყლების და თერმული წყლების გამოსავლებს ასახავს. გეოეკოლოგიურ რუკაზე დატანილია დაბინძურებულ რაიონებში ჩატარებული კვლევის შედეგები, გამოყოფილია ტერიტორიის უმაღლესი კატეგორიის რისკის უბნები. საქართველოს ტერიტორიის აერომაგნიტურ, გრავიმეტრიულ და სეისმური შესწავლილობის რუკებზე გამოსახულია სხვადასხვა მეთოდებით და მასშტაბურობით ჩატარებული სამუშაოები.

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	"ქვემო ქართლის რიოლითური და დაციტური შედგენილობის პიროკლასტური ქანების (იგნიმბრიტების, პემზის და ფერფლის, ტუფების ვულკანური ფერფლის) გეოლოგიურ-ტექნოლოგიური შესწავლა-შეფასება, მათი ცემენტის, ფერადი მინის და კერამიკის წარმოებაში გამოყენების მიზნით" (№ AR/103/9-150/13, 04.04.2014-04.04.2016). მეცნიერების დარგი – გეოლოგია; სამეცნიერო მიმართულება – საბადოების გეოლოგია, ტექნოლოგია	რუსთაველის ფონდი	ელენა შაფაქიძე	გ. ნადარეიშვილი მ. ტყემალაძე ი. გეჯაძე

საანგარიშო პერიოდში (01.01.2015-31.12.2015წ.წ.) შესრულებული იქნა პროექტის II და III პერიოდის სამუშაოები:

–შესწავლილი და გამოვლენილია ქვემო ქართლის პიროკლასტური ქანები, რომლებიც მაღალი ჰიდრავლიკური აქტიურობით ხასიათდებიან და მოხდა მათი კლასიფიკაცია;

–საკვლევი ქანების გამოყენებით შემუშავებული იქნება რიგითი და პუცოლანური პორტლანდცემენტების შემადგენლობები, შესწავლილი იქნება მათი ძირითადი სამშენებლო-ტექნიკური თვისებები და ჰიდრატაციის პროცესები;

–მომზადდა საპატენტო განაცხადი და მიღებულია **პატენტი სასარგებლო მოდელზე: „პუცოლანური პორტლანდცემენტის შემადგენლობა“ № 13763/02, 2015;**

–შემუშავდა მაღალი სილიკატური მოდულის მქონე ცემენტის კაზმების რეცეპტურები;

–შემუშავდა ავანტურინის, შინდისფერ-მოყავისფრო ზედაპირულ აფსკიანი და ფერადი დახშული მინების ახალი შემადგენლობების და მიღების ტექნოლოგიები;

–შემუშავდება კერამიკული ფილების მიღების ახალი რეცეპტურები;

–გრანტის თემატიკაზე მომზადდა პუბლიკაცია: ცემენტის კლინკერის სილიკატური მოდულის რეგულირების შესაძლებლობების კვლევა ადგილობრივი მჟავე ვულკანური ქანების გამოყენებით.

I. 4.

2	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	“საქართველოს ბუნებრივი ქვების გამოყენება მონუმენტური ხუროთმოძღვრული ნაგებობების შენება-რესტავრაციაში” მეცნიერების დარგი – გეოლოგია; სამეცნიერო მიმართულება – ბუნებრივი ქვები	რუსთაველის ფონდი	ვ. გელეიშვილი	ვ. გელეიშვილი მ. ტყემალაძე ო. მაჭავარიანი

გრანტი ეხება საპატრიარქოს შესაბამისი სტრუქტურის (რესტავრაციისა და საეკლესიო ხუროთმოძღვრების ცენტრის მიერ) დამტკიცებული 20 უმნიშვნელოვანესი ტაძრის (ეკლესია-მონასტრის) მშენებლობაში გამოყენებული ქვიური მასალის კვლევას, ლითოლოგიურ-პეტროგრაფიული და ნივთიერი შედგენილობის შესწავლას. მათი იდენტური მასალის ბუნებაში მოძიებას, შესაბამისი გამოვლინებების შესწავლას, პროგნოზული მარაგების განსაზღვრას, აღნიშნული ტაძრების რესტავრაციაში ან ახლის შენებაში გამოყენების მიზნით. მიმდინარეობს მეორე ეტაპის სამუშაოები. პირველ ეტაპზე შესწავლილ იქნა 6 ტაძარი და მათზე გამოყენებული ქვიური მასალა, ასევე მათი შესაბამისი საბადოები.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გ. ნადარეიშვილი მ. თოფჩიშვილი თ. ლომინაძე	“კოლხეთის დეპრესიის მეზო-კაინოზოური ნალექების სტრატიგრაფია”	თბილისი, თსუ–ს გეოლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2015	316
ნაშრომში განზოგადებულია კოლხეთის დეპრესიის და მისი მომიჯნავე ტერიტორიების მეზო-კაინოზოური ნალექების სტრატიგრაფიის საკითხები. მოცემულია მსხვილი სტრატონების გეოლოგიური ჭრილების აღწერა, ბიოსტრატიგრაფიული დანაწილება და კორელაცია; გამოყენებულია აგრეთვე ბურღვის მონაცემები. ნაშრომი განკუთვნილია შესწავლილი ტერიტორიის სტრატიგრაფიით და პალეონტოლოგიით დაინტერესებულ გეოლოგთა ფართო წრისათვის.				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გ.ნადარეიშვილი ე. შაფაქიძე ი. გეჯაძე მ. ნადირაშვილი ვ. მაისურაძე მ. ტყემალაძე	ცემენტის კლინკერის სილიკატური მოდულის რეგულირების შესაძლებლობების კვლევა ადგილობრივი მჟავე ვულკანური ქანების გამოყენებით	ტ.41, № 1–2, 2015	თბილისი, საქ–ს მეცნ. აკადემიის გამომცემლობა სერია “ქიმია”	6 (გვ. 148–153)
2	გ.ნადარეიშვილი მ. თოფჩიშვილი თ. ლომინაძე	მოსაზრებები საქართველოში ტრიასული დროის შესახებ	№30, 2015	თბილისი, ჟ. „საქ–ს ნავთობი და გაზი“	15 (გვ. 82–96)
3	ვ. ნადირაძე რ. კოფმანი გ.მაღალაშვილი ი. ილურიძე	საქართველოს სასარგებლო წიაღისეულის 1:1000000 მასშტაბის რუკა (მინერალურ-ნედლეულის ბაზის გრაფიკული მოდელი).	– 2015	თბილისი, “ტექნიკური უნივერსიტეტი” შრომათა კრებული	7 (გვ. 95–102)

4	ვ. ნადირაძე	განივი ლინეამენტების როლი საქართველოს მეტალოგენიაში.	№ 2 (35), 2015	თბილისი, სამთო ჟურნალი	5 (გვ. 10-15)
5	ნ. ოდიკაძე, ბ. ასანიძე	დასავლეთ საქართველოს რეგიონის დანალექი და მაგმური ქანების შესწავლა პალეომაგნიტური და მინერალოგრაფიული მეთოდებით	– 2015	თბილისი, "ტექნიკური უნივერსიტეტი" შრომათა კრებული	4 (გვ. 115–118)
6	ნ. ოდიკაძე, ბ. ასანიძე	მაგნიტური ამთვისებლობა, როგორც გარემოს მძიმე მეტალებით დაბინძურების მაჩვენებელი	– 2015	თბილისი, "ტექნიკური უნივერსიტეტი" შრომათა კრებული	3 (გვ. 112–114)

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. ლაბორატორიულ პირობებში გამოკვლეულია ბოლნისი-დმანისის ადგილმდებარეობის მჟავე ვულკანური ქანების გამოყენებით ცემენტის კლინკერის ნედლეულის კაზმში თიხის ნაწილობრივი ჩანაცვლების შესაძლებლობა, რაც სილიკატური მოდულის აწევის საშუალებას იძლევა 1.7-დან 2.3-მდე.
ექსპერიმენტულად დადგენილია, რომ სილიკატური მოდულის მომატება არ იწვევს კლინკერის შეცხობის ტემპერატურის გაზრდას, რაც სავარაუდოდ განპირობებულია მჟავე ვულკანური ქანების მაღალი რეაქციის უნარიანობით: ვულკანური მინისა და მზა სილიკატების შემცველობით.
მიღებული ცემენტები გამოირჩევიან მაღალი მექანიკური სიმტკიცით გამყარების 3 თვის შემდეგ, მაღალი ხანმედეგობით და კოროზიული მედეგობით.

2. საქართველოს ტერიტორიაზე გაჭრილი მრავალრიცხოვანი ჭაბურღილების მონაცემების, ავტორების მიერ ჩატარებული კვლევების და ქართულ და უცხოურ გეოლოგიურ ლიტერატურაში არსებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება საქართველოს ტერიტორიაზე ტრიასულ დროში ხმელეთის და ზღვის განაწილების კანონზომირებების შესახებ. კერძოდ, ზღვით უნდა ყოფილიყო დაფარული თანამედროვე კაავკასიონის სამხრეთ ფერდის ტერიტორია. სავარაუდოა, რომ თანამედროვე ამიერკავკასიის (სამხრეთ კავკასიის), აჭარა-თრიალეთის და ართვინ-ბოლნისის ბელტის ბოლნისის ზონების ტერიტორია, სადაც იმდროინდელ ნალექდაგროვებას ადგილი არ ჰქონდა ტრიასულ, ყოველ შემთხვევაში, გვიან ტრიასულ დროს ხმელეთს წარმოადგენდა.

3. რუკა წარმოადგენს გეოლოგიური შინაარსის გის-ატლასის შემადგენელ ნაწილს. რუკის ელექტრონული ვარიანტი შედგენილია საქართველოს მინერალური ნედლეულის ბაზის მონაცემებით. რუკაზე საქართველოს სასარგებლო წიაღისეული წარმოდგენილია საბადოების გამოთვლილი და დამტკიცებული მარაგებით, აგრეთვე, წინასწარ შეფასებული პერსპექტიული მადანგამოვლინებები. მარაგების არსებული გრადაციის შესაბამისად, რუკაზე ნიშნის ზომის მიხედვით გამოყოფილია მსხვილი, საშუალო და მცირე საბადოები, აგრეთვე ასახულია მათი შესწავლილობის მდგომარეობა – ექსპლუატაციაში მყოფი, დაძიებული და დაკონსერვებული. საქართველოს მინერალურ-ნედნეულის ბაზა წარმოდგენილია ნედლეულის შემდეგი სახეობებით: მეტალური (შავი, ფერადი, იშვიათი და კეთილშობილი), არამეტალური (სამთო-ქიმიური, სამთომადნო, კერამიკული, სამშენებლო მასალები), ენერგეტიკული (ნავთობი, გაზი და ნახშირი).

4. ნაშრომში განხილულია გლობალური მასშტაბის, ე.წ. შატსკის მერიდიანული ამაღლება, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ამ სისტემის რამოდენიმე სტრუქტურითაა გამოსახული. მათზე ხანგრძლივი, მრავალჯერადი გადაადგილებებია დაფიქსირებული. დადგენილია განივი და მათ შორის, მერიდიანული სტრუქტურების, მნიშვნელოვანი როლი მაგმატურ, ჰიდროთერმულ და სეისმურ პროცესებში. სასარგებლო წიაღისეულის, მათ შორის ნავთობისა და გაზის, საბადოების განლაგებას ტექტონიკური კვანძები განსაზღვრავენ, რომლებიც კავკასიური და განივი მიმართების სტრუქტურების გადაკვეთით წარმოიქმნებიან. განხილულია ბარიტ-პოლიმეტალური და სპილენძ-კოლჩედანური მადნების წარმოშობის მექანიზმები.

5. ჩატარებულია დანალექი და მაგმური ქანების პალეომაგნიტური და მინერალოგრაფიული კვლევა. დადგენილია, რომ შესწავლილი დანალექი და მაგმური ქანები ინარჩუნებენ პირველად დამაგნიტებულობას, რომელიც ძველი, ქანების დანაოჭებამდელი ბუნებისაა და სინქრონულია მათი წარმოშობის ასაკის, მისი მიმართულება კი შეესაბამება იმავე პერიოდის დედამიწის მაგნიტური ველის მიმართულებას. გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ძირითადი ფერომაგნიტური მინერალები, რომლებთანაც დაკავშირებულია ამ ქანების დამაგნიტება ანუ დამაგნიტების მატარებელია მაგნეტიტი, ტიტანომაგნეტიტის ჯგუფის მინერალები, მაგჰემიტი და რკინის ჰიდროჟანგები.

6. შემოთავაზებულია სწრაფი და იაფი მაგნიტომეტრული ექსპრესმეთოდი ნიადაგებსა და ზედაპირულ ქანებში მძიმე მეტალებით დაბინძურების გამოსავლენად მაგნიტური პარამეტრების საშუალებით.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ვ. ნადირაძე, რ. კოფმანი, გ. მაღალაშვილი, ი. ილურიძე.	საქართველოს სასარგებლო წიაღისეულის 1:1000000 მასშტაბის რუკა (მინერალურ-ნედლეულის ბაზის გრაფიკული მოდელი.	სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია საქართველოს გეოლოგიის თანამედროვე პრობლემების შესახებ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი. 23-24 აპრილი, 2015 წ.

2	ნ. ოდიკაძე, ბ. ასანიძე	მაგნიტური ამთვისებლობა, როგორც გარემოს მძიმე მეტალებით დაბინძურების მაჩვენებელი	სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია საქართველოს გეოლოგიის თანამედროვე პრობლემების შესახებ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი. 23-24 აპრილი, 2015 წ.
3	ნ. ოდიკაძე, ბ. ასანიძე	დასავლეთ საქართველოს რეგიონის დანალექი და მაგმური ქანების შესწავლა პალეომაგნიტური და მინერალოგრაფიული მეთოდებით	სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია საქართველოს გეოლოგიის თანამედროვე პრობლემების შესახებ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი. 23-24 აპრილი, 2015 წ.

1. წარმოდგენილია საქართველოს სასარგებლო წიაღისეულის 1:1000000 მასშტაბის რუკა, რომელზედაც დატანილია ქვეყნის მინერალურ-სანედლეულო ბაზა – მეტალური, არამეტალური და სათბობ-ენერგეტიკული ტიპის საბადოებით. ახლებურადაა განხილული ზოგიერთი საბადოს გენეზისი. განხილულია ქვეყნის მინერალურ-სანედლეულო ბაზის გაზრდის პერსპექტივები.
2. შემოთავაზებულია სწრაფი და იაფი მაგნიტომეტრული ექსპრესმეთოდი ნიადაგებსა და ზედაპირულ ქანებში მძიმე მეტალებით დაბინძურების გამოსავლენად მაგნიტური პარამეტრების საშუალებით.
3. ჩატარებულია დანალექი და მაგმური ქანების პალეომაგნიტური და მინერალოგრაფიული კვლევა. დადგენილია, რომ შესწავლილი დანალექი და მაგმური ქანები ინარჩუნებენ პირველად დამაგნიტებულობას, რომელიც ძველი, ქანების დანაოჭებამდელი ბუნებისაა და სინქრონულია მათი წარმოშობის ასაკის, მისი მიმართულება კი შეესაბამება იმავე პერიოდის დედამიწის მაგნიტური ველის მიმართულებას. გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ძირითადი ფერომაგნიტური მინერალები, რომლებთანაც დაკავშირებულია ამ ქანების დამაგნიტება ანუ დამაგნიტების მატარებელია მაგნეტიტი, ტიტანომაგნეტიტის ჯგუფის მინერალები, მაგჰემიტი და რკინის ჰიდროჟანგები.

დამატებითი ინფორმაცია

1. საანგარიშო პერიოდში განყოფილების წამყვანმა ინჟინერმა, მ. ტყემალაძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: “ბოლნისის მადნიანი რ-ნის გვიანცარცული ექსტრუზივების და მათი შემცველი ქანების გეოლოგიური კვლევა მინისა და ცემენტის წარმოებაში გამოყენების თვალსაზრისით.”
2. განყოფილების თანამშრომელი ნ. კობახიძე მიმდინარე წელს დაფინანსდა შ. რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდის 2016წ-ის სამაგისტრო გრანტით.

წლიური ანგარიში აკადემიას

1.1. *ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კავკასიის ალ. თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი ბიოტექნოლოგიური სამეცნიერო კვლევითი განყოფილება*

განყოფილების ხელმძღვანელი- შალვა მალაშხია

განყოფილების პერსონალური შემადგენლობა:

1. შალვა მალაშხია- წამყვანი მეცნიერ თანამშრომელი, აკად. დოქტორი;
2. კანდელაკი მარინა - უფრ. მეცნიერ თანამშრომელი, აკად. დოქტორი;
3. ქართველიშვილი ლალი - უფრ. მეცნიერ თანამშრომელი, აკად. დოქტორი
4. ლომიძე ნუნუ – მეცნიერ თანამშრომელი, დოქტორანტი;
5. ჩუბინიძე ნინო – უფროსი ინჟინერი, მაგისტრი;
6. კაკულია ჯემალი - უფრ. მეცნიერ თანამაშრომელი, აკად. დოქტორი;
7. ჩარკვიანი დიმიტრი – უფროსი ინჟინერი, მაგისტრი;
8. ჩხობაძე ნანული –მეცნიერ თანამშრომელი, აკად. დოქტორი;
9. ჩოჩია ლალი - უფრ. მეცნიერ თანამშრომელი, მაგისტრი.

I.2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	საქართველოს აგრომინერალური ნედლეულის ბაზაზე სოფლის მეურნეობისათვის საჭირო ორგანო-მინერალური, მინერალური, პროლონგირებული სასუქების და მცენარეთა ზრდის ჰუმატური სტიმულატორების მიღების ტექნოლოგიების შემუშავება ტრადიციული და ბიოტექნოლოგიური მეთოდების გამოყენებით	შ. მალაშხია	ნ. ლომიძე მ. კანდელაკი ლ. ქართველიშვილი ნ. ჩუბინიძე ჯ. კაკულია დ. ჩარკვიანი ნ. ჩხობაძე დ.ჩოჩია
გარდამავალი კვლევითი სამუშაოს ეტაპის შედეგები			
	1. შესრულდა კვლევები ბაქტერიული ფორმების გამოყოფის, დამაგროვებელი კულტურის მიღების, აქტიური შტამების გადარჩევის, მათი იდენტიფიკაციის და შტამების ბანკის შექმნის მიზნით. ბაქტერიული ფორმების მიმართებით კვლევები წარმოებდა სილიკატური სახეობის “Baccilus muciloginosus”- ის კულტურის გამოსაყოფად. აღნიშნული სახეობის გამოყოფა მოხდა სხვადასხვა სახეობის ნედლეულისაგან. სხვადასხვა პირობებიდან აღებული ნიადაგიდან, ლისის ტბის შლამებიდან, ბეტონის დესტრუქტირებული (ხავსიანი), ტრაქიტების და გლაუკონიტების ნიმუშებიდან. თითოეული გარემოდან მიკრობიოლოგიაში მიღებული სტანდარტული მეთოდიკის შესაბამისად აღებული იქნა 100 გრ რაოდენობის სინჯები. არსებული მეთოდიკით მოხდა მათი გაცოცხლება და ინკუბირება, შემდგომ მოხდა იმ სინჯების აღრიცხვა, რომლებზეც განვითარებული იყო სილიკატური ბაქტერიები, ბაქტერიების აღრიცხვა ხდებოდა ნათესების ვიზუალური შეფასებით და ამოთესილი ბაქტერიების პრეპარატების მიკროსკოპული შესწავლით. საკვლევი სინჯებიდან გამოყოფილი იქნა 50-მდე შერეული კულტურა. გამოყოფილი სილიკატური ბაქტერიების შერეული კულტურების დაგროვებისა და მათი სუფთა კულტურალური შტამების მიღების მიზნით შერეული კულტურები დაითესა იმავე საკვებ არეზე მრავალჯერადი განმეორებით. სულ ჩატარდა 9 პასირება (განმეორება). ინკუბაციის პერიოდი 120 საათი 28C^0 ტემპერატურის პირობებში. აღნიშნულ კულტურებში ბაქტერიების რაოდენობის განსაზღვრა ხდებოდა ყოველი პასირების შემდეგ ზღვრული განზავების მეთოდით. გამოყოფილ კულტურებში სილიკატური		

ბაქტერიების რაოდენობა საშუალოდ მერყეობს 10^7 -10^8 უჯრ/მლ-ში.

ჩატარებული იქნა გამოყოფილი კულტირების შემოწმება სისუფთავეზე, მათი გამოცდით სხვადასხვა ცილის შემცველ საკვებ არეებზე. დადგინდა, რომ მიღებული ბაქტერიული კულტურები სუფთაა და არ არის დაბინძურებული სხვა მიკროორგანიზმებით.

გამოყოფილი შტამების აქტიურობის შესაფასებლად და მათი გადარჩევის კრიტერიუმად არჩეული იქნა კალიუმშემცველი ალუმოსილიკატებში, კალიუმის ხსნარში გადაყვანის ინტენსიურობა. კალიუმის იონის ხსნარში აღმოსაჩენად გამოყენებულ იქნა მშრალი კობალტის რეაქტივი. გამოყოფილი ბაქტერიების ცდისეულ სუბტრატების (ტრაქიტი, გლაუკონიტი) გადარჩევის შედეგად შერჩეულ იქნა აქტიური შტამები.

მიკრობიოლოგიური ექსპერიმენტური ბაზის (შტამების ბანკის) შექმნის მიზნით განხორციელდა შერჩეული აქტიური სახეობების იდენტიფიკაცია მიკრობიოლოგიაში ცნობილია სტანდარტული მეთოდიკის საფუძველზე. კულტურების მორფოლოგიური, ფიზიოლოგიური და კულტურალური თვისებების შესწავლით. მათ საფუძველზე შეიქმნა სილიკატური ბაქტერიების აქტიური შტამების ექსპერიმენტალური ბაზა- შტამების ბანკი.

2. შესწავლილი იქნა საქართველოში არსებული იმ მინერალური ნედლეულთა საბადოების რესურსები, რომლებიც შეიძლება განხილულ იქნან წყაროდ, კალიუმიანი სასუქების მისაღებად.

ჩვეულებრივ კალიუმის სასუქების წარმოებისათვის ძირითად მინერალურ ნედლეულს წარმოადგენს სილვინიტი, რომელიც სილვინიტის და გალიტის ნარევს წარმოადგენს, მასში კალიუმის შემცველობა 12-15% აღწევს. კალიუმის სულფატური სასუქების ნედლეულს წარმოადგენს კაინიტი, ლანბინიტი და სხვა. აღნიშნული სახეობის ნედლეული საქართველოში არ მოიპოვება, მაგრამ არის ისეთი წყაროები, რომლებიც არანაკლები შემცველობით ხასიათდება და სათანადო ტრანსფორმაციებით შეიძლება ეფექტურობით არანაკლებ ნედლეულს წარმოადგენენ. ეს არის ტრაქიტები, გლაუკონიტები, ფილიფსიტები, დელუვიური თიხაფიქლები, გლაუკონიტიანი ქვიშაქვიანი კირქვები და ბენტონიტები, აღნიშნული ადგილობრივი აგრომინერალები გეოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვნადაა გავრცელებული ქართული ბელტის ფარგლებში და დაკავშირებულია ტერრიგენულ-კარბონატულ-გლაუკონიტიან ფორმაციებთან.

<u>ტრაქიტი</u> –ეს არის ეფუზიური ანალოგი სიენიტების მომწვანო-რუხიდან ვარდისფერ-რუხ ფერამდე, ზოგჯერ თეთრი, ჩვეულებრივ პორფირული სტრუქტურით, ტექტურა ფოროვანი მოკლე (<1მმ) ფორებით. პორფირიტულ მასივში წარმოდგენილი არიან რქატყუარა, ქარსები, მინდვრის შპატები, ტრაქიტები წარმოქმნიან ლავებს და თაღებს.

ტრაქიტების ერთ-ერთ ძირითად მსხვილ დისლოკაციის რაიონს წარმოადგენს ასკანის ჯგუფის ბენტონიტური თიხების საბადო, რომელშიც შედის ციხის-უბნისა და ვანის-ქედის საბადოები, რომლებიც განლაგებულია ოზურგეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით 18 კმ-ზე. საბადოს რაიონი აგებულია სხვადასხვა დანალექი ეფუზიური ქანებით და მათი პიროკლასტიციტებით, ასევე საშუალო ეოცენის ინტრუზიულ წარმონაქმნებით. ყველაზე მეტ ინტერესს დღემდე წარმოადგენდა და წარმოადგენს საშუალო ეოცენის გურიის დასტის ბენტონიტ შემცველი ქანები. დასტა შედგენილია ტუტე ბაზალტოიდების ვულკანური ბრეკჩიებით, ლავური შრეებითა და ლითო-კრისტალოკლასტური და მრავალი გადამკვეთი ტანებით, რომლებიც ძირითადად ტრაქიტულია.

ტრაქინდეზიტური პემზები და ფერფლური ტუფები ასევე თამაშობენ მნიშვნელოვან როლს დასტის აგებულებაში. ეს ქანები არიან

გარდამქმნილი სამრეწველო ბენტონიტების გროვებად. ამას გარდა ციხის-ების და ვანის ქედის საბადოების აგებულებაში მონაწილეობენ ტუფობრექჩიები, ასევე მხურავი და ტრაქიტების დაიკური შრეები. ამ საბადოებზე ბენტონიტების მოპოვება კარიერული წესით ხორციელდება და ტრაქიტები, როგორც მხურავ ქანები ასევე ჩანართი სხეულები დღემდე წარმოადგენს ფუჭ ნარჩენ ქანებს, ასევე ნარჩენებში მიდის გაუთიხოვნებული ნაწილი ძირითადი ბენტონიტური მასივისა- ტრაქიანდეზიტული პემზა,ტუფები და ტუფობრექჩიები, ტრაქიტები და ტრაქიანდეზიტები წარმოადგენენ კალიუმის საკმაოდ მდიდარ ნედლეულს, მასში K_2O –ს შემცველობა მერყეობს 4-15% ფარგლებში. აღნიშნულ მოქმედ საბადოზე მისი მარაგებიც მნიშვნელოვანია და აღწევს 8 მილ. ტონას. ამასთან არსებობს პერსპექტიული უბნები, რომლებზეც დაზვერვითი და საძიებო სამუშაოების ჩატარების შემდეგ მოსალოდნელია ტრაქიტების მარაგების მნიშვნელოვანი ზრდა. გარდა გურიის რეგიონისა ტრაქიტების მნიშვნეოვანი მარაგებია დაფიქსირებული აჭარის რეგიონში, რომლებიც ნაკლებად შესწავლილი სავარაუდოდ ტრაქიტების პერსპექტიული სავარაუდო მარაგები შეიძლება შეფასებული იქნას 20 მილ. ტონის ფარგლებში.

გლაუკონიტი რთული კალიუმშემცველი წყლიანი ალუმოსილიკატია, ჰიდროქარსების ჯგუფის მინერალი, ქვეკლასი შრეობრივი სილიკატებისა. ის ხასიათდება ცვლადი და რთული შემადგენლობით. ქიმიური შემადგენლობის ფართო ვარიანტებით: კალიუმის ოქსიდი- (K_20) 4-94%, ნატრიუმის ოქსიდი (Na_20_5) 0– 0-35%, სილიციუმის ორჟანგი- (SiO_2)47,6-52.9%, წყალი- (H_20) 4.9-13.5%. გარდა ამისა ის შეიძლება შეიცავდეს ფოსფორს, ასევე ოცამდე მიკროელემენტს, მათ შორის Cu, Ag, Ni, Co, Mn, Zn, Mo, As, Cr, Be, Td და სხვა. ყველა ესენი იმყოფებიან ადვილად მისაღებ ფორმებში, ცვლადი კათიონებით, რომლებიც ადვილად ჩანაცვლდებიან გარემოში სიჭარბეში არსებული ელემენტებით, ყველაფერი ეს და ისიც, რომ აქვთ შრეობრივი სტრუქტურა ხსნის მათ მაღალ სორბციული თვისებებს.

გლაუკონიტები საქართველოს მასშტაბით წარმოდგენილი არიან ძირითადად გლაუკონიტიანი-ქვიშაქვიანი კირქვებით. სენომანის წარმონაქმნებში და დაკავშირებულნი არიან ფოსფორიტების შემცველი შრეებთან. მათი სიმძლავრე მერყეობს 10-33 მ-ის ფარგლებში და დიდი გავრცელება აქვს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. გოდოგანის საბადოს ფარგლებში გლაუკონიტიანი ქვიშაქვების ქვედა შრეებში ყველგან ფიქსირდება მაღალი ფოსფატიზაცია, რომლებიც მერყეობს 1,5-3%-ის ფარგლებში. როგორც ცნობილია დასავლეთ საქართველოში ფართოდაა გავრცელებული წითელმიწა და ეწერი ნიადაგები, რომლებიც ხასიათდებიან, სხვებისგან განსხვავებით მოძრავი ალუმინის მაღალი შემცველობით. მკვებავი ელემენტების სიმცირით, დიდი ადსორბციული თვისებებით ფოსფორის იონებისადმი და სხვა სპეციფიკური თვისებებით. ასეთი ნიადაგების ფიზიკურ ქიმიურ თვისებების გაუმჯობესებისათვის აღნიშნული ფოსფორიტ-გლაუკონიტიანი დასტის გამოყენება და მისგან შესაბამის სასუქების სახეობის მიღება, იმედისმომცემია და უზრუნველყოფს აღნიშნული ტიპის მიწების ქიმიურ მელიორაციას და შესაბამისად მაჩვენებლების გაუმჯობესებას. გლაუკონიტიანი კარბონატული ქანების ქიმიური შემცველობა შემდეგია SiO_2 -26-37%; P_2O_5 -3-10; HgO- 3.5-4.5%; K_2O+Na_2O -2.5-3.5%; CaO – 22-31%. ქიმიური შემცველობა მიუთითებს, რომ გარდა კალციუმისა, რომელიც ძირითადი ელემენტია მჟავე ნიადაგების მელიორაციისათვის, შედის მკვებავი ელემენტები, რომელთა ჯამური შემცველობა 10%-მდეა. გარდა ამისა გლაუკონიტიანი ქვიშაქვოვანი კირქვები,

სუფთა კირქვებიდან განსხვავებით ხასიათდება ადსორფციული ბუფერობით, რაც ამცირებს კალიუმის აქტივობას და ამის გამო რეგულირდება კალციუმის გაცემის პროცესი, რაც უფრო ეფექტურს ხდის ნიადაგის ქიმიური მელიორაციის პროცესს.

ლეჩხუმის ფოსფორიტების საბადოზე ფოსფორიტების კონკრეციების პროდუქტიული დასტის მაცემენტირებელ მასას წარმოადგენს გლაუკონიტი. მასთან მინარევების სახით იმყოფება, კარბონატები, კვარცი და მინდვრის შპატები, ამ მინარევების რაოდენობა უმნიშვნელოა. გლაუკონიტის მარცვლები ხალასია, რომელთა მარცვლოვნება იცვლება 0.06-0.45მმ-ის ფარგლებში. პროდუქტიული შრის სისქე აღემატება 2.0მ-ს და მისი სამრეწველო მნიშვნელობა როგორც გლაუკონიტის ფენისა მნიშვნელოვანია. დადგენილია, რომ ლეჩხუმის საბადოს პროდუქტიული დასტის (სოფ. ნაყუსალეშსა და უსახელოს შორის) ზომა მიმართებით აღწევს 6.5 კმ-ს და მარაგები მნიშვნელოვანი, მაგრამ ერთგვარი სირთულეები დაკავშირებულია არასახარბიელო სამთო გეოლოგიურ პირობებთან, რაც გამოწვეულია, მადნის სხეულის რთული (ციცაბო) ჩაწოლაში და არამდგრადი გვერდითი ქანებით.

გლაუკონიტიანი ქვიშაქვები ფართოდაა გავრცელებული საქართველოს მთელ რიგ რაიონებში, წყალტუბოს რაიონში, სოფ. გუმბრის მიდამოებში. (კალიუმის შემცველობა 2.5-2.5%), ქუთაისი, მწვანე ყვავილას მიდამოებში (კალციუმის შემცველობა 5-6%), საფიჩხია (K+Na-2-2.5%), გოდოგანი (K+Na- 2-2.5%) გლაუკონიტიანი ქვიშაქვები ასევე ფართოდაა გავრცელებული ხარაგაულის, წყალტუბოს, ზუგდიდის, ამბროლაურის და გუდაუთის რაიონებში.

გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს კალიუმის შემცველი ისეთი მინერალური ნედლეული, როგორიცაა ცეოლითების ერთ-ერთი სახეობა-ფილიფსიტი. რომელიც ცეოლითების იშვიათი წარმომადგენელია, საქართველოში ფილიფსიტები გამოვლენილია გურიის ქედის მიდამოებში (ლანჩხუთის რაიონი) ეს საბადო ხასიათდება მეტად ხელსაყრელი სამთო გეოლოგიური პირობებით, ის განლაგებულია ზედაპირთან ახლოს, სიმძლავრე მერყეობს 50-84მ-ის ფარგლებში, მასივში ფილიფსიტის შემცველობა 60-90%-ია. ფილიფსიტების ძირითადი ქიმიური შემადგენლობა შემდეგია SiO_2-50%; H_2O_2-18,2%, -4.4 Fe_2O_3%; CaO- 2.53%; MgO 2.7%; Na_2O 0.50%; K_2O -5.40%.

აღნიშნული სახეობა შეიძლება ითქვას ნაკლებად შესწავლილია და მისი ათვისებისათვის აუცილებელია დეტალური კვლევები.

3. შესწავლილი იქნა კალიუმშემცველი მინერალური ნედლეულის ტრაქიტების ბიოტრანსფორმაციის შესაძლებლობები სილიკატური ბაქტერიების გამოყენებით. კვლევების მიზანს წარმოადგენს K_2O-ს მაქსიმალური რაოდენობის გადაყვანა ხსნარში შერჩეული და ადაპტირებული ბაქტერიული შტამების გამოყენებით.

დაყენებული ცდების სერიების შედეგად დადგენილი იქნა პროცესის ოპტიმალური პარამეტრები. გამოტუტვის პროცესის ხანგრძლივობა 4 კვირა, სუსპენზიის მორევის ტიპი ნჯღრევა ტემპერატურა 28-30^{0}C , ბაქტერიული ტიტრი 1:10^7 უჯრ/მლ-ში. ბაქტერიული ხსნარების ცვლის ჯერადობა-3 შვიდდღიანი ინტერვალით. დადგენილ პირობებში K_2O –ის გამოტუტვა პირველ სამ კვირაში იზრდება, პროცესის მე-7 დღეს აღწევს 29,16%-ს, 21 დღის შემდეგ 41.39%, შემდეგ მე-4 კვირის განმავლობაში პროცესი ნელდება და აღწევს 41.43%. 10გ/ლ. საქაროზას დამატება საკვებ არეზე ააქტიურებს გამოტუტვის პროცესს და ხსნარში გადადის K_2O ის 47.94%.

	რაც შეეხება გლაუკონიტებს, აღნიშნული მაჩვენებლები 2-3%-ით დაბალია. გაგრძელდება სამუშაოები პროცესის ინტენსიფიკაციების გზების დადგენის მიზნით.

I.4. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	გრანტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	საქართველო ტრაქიტების ბუნებრივი და ტექნოგენური ნარჩენებიდან სოფლის მეურნეობისათვის დეფიციტური კალიუმის ნაერთების და კალიუმიანი ბიოსასუქების მიღების უნარჩენო ტექნოლოგიის შემუშავება (9-220) ნარჩენების მართვა	რუსთაველის ფონდი	ლ. ქართველიშვილი	შ. მალაშხია ნ. ლომიძე ჯ. კაკულია მ. კანდელაკი ნ. ჩუბინიძე დ. ჩარკვიანი ს. ჯალაღანია ნ. ჩხობაძე დ.ჩოჩია

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები

1. შესწავლილი იქნა კალიუმშემცველი მინერალური ნედლეული, ტრაქიტის ასკანის ბენტონიტური თიხების საბადოზე მოპოვებული ტრაქიტების წარმომადგენლობითი სინჯების მინერალოგიური და ქიმიური პარამეტრები.
2. შემუშავებული იქნა მიკროორგანიზმების შერჩეული სახეობის Baccilus muccilaginosus მიღების მეთოდიკა ბაქტერიალური შტამების გამოყოფის მიმართულებით. მოპოვებული სხვადასხვა ნიმუშებიდან განხორციელდა ბაქტერიების გამოყოფა.
3. გამოყოფილი სილიკატური ბაქტერიების შერეული კულტურების და მათი სუფთა კულტურალური შტამების მიღების მიზნით ჩატარდა კულტურების მრავალჯერადი გადათესვა, გამოყოფილი კულტურების შემოწმება სისუფთავეზე და შესაბამისად მიღებული იქნა დამაგროვებელი კულტურა.

4. მოხდა აქტიური შტამების გადარჩევა და მათი იდენტიფიკაცია, შტამების ბანკის შექმნა.
5. შესწავლილი იქნა სილიკატური ბაქტერიების მიერ ტრაქიტების დაშლის პროცესი. დადგენილი იქნა დაშლის პროცესის კინეტიკა.

III1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	რ. კვატაშიძე შ. მალაშხია ნ. მუმლაძე ნ.ჩხობაძე	ტკილი (მერგელი) მნიშვნელოვანი აგრომინერალური ნედლეული თხილის კულტურისათვის ჟურნალი “ეკონომიკა”	№3 2015წ.	ქ. თბილისი	6 გვ.
ანოტაცია მოცემულია ადგილობრივი აგრომინერალების (მინერალური ნედლეულის) გამოყენების ეფექტურობის შესახებ სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებების უზრუნველყოფის მიზნით. განხილულია ერთ-ერთი ასეთი აგრომინერალის ტკილის (მერგელის) გამოვლინების მონაცემები, რომელნიც დაფიქსირებული იქნა ჩხოროწყუს რაიონში, მოცემულია აღნიშნული მინერალური ნედლეულის წარმომადგენლობითი ნიმუშების შესწავლის შედეგები. გაანალიზებულია მისი ეფექტური გამოყენების შესაძლებლობა თხილის კულტურის მეურნეობის განვითარებისათვის დასავლეთ საქართველოში.					
2	ლ.ქართველიშვილი; ჯ. კაკულია შ. მალაშხია; ნ. ლომიძე; მ. კანდელაკი; ლ. ჩოჩია; ნ. ჩხობაძე	ბიოტექნოლოგიის გამოყენების შესაძლებლობები კალიუმის შემცველი არამადნეული ნედლეულიდან კალიუმის ნაერთების მისაღებად “სამთო ჟურნალი”	№2 (35) 2015წ.	ქ. თბილისი	5
ანოტაცია კალიუმის ნაერთების მიღებისათვის ერთ-ერთ საინტერესო მინერალურ ნედლეულს წარმოადგენს ტრაქიტი. მოცემულია იმ არსებული მასალის ანალიზი, რომელზეც დაყრდნობით შესაძლებელია დასკვნებისა და ზოგიერთი მიმართულებების შერჩევა, რაც შექმნის საშუალებას შემუშავდეს ისეთი მეთოდიკა, რომელიც მოგვცემს საშუალებას ბიოტექნოლოგიის გამოყენებით განხორციელდეს ტრაქიტის, როგორც					

მინერალური ნედლეულის ტრანსფორმაცია მისგან კალიუმის ნაერთების მისაღებად. არსებული მასალების ანალიზის საფუძველზე მოცემულია კონკრეტული დასკვნები და რეკომენდაციები.

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თ. გურული შ. მალაშხია	ორგანომინერალური და ბიოორგანომინერალური სასუქების გამოყენების გეოეკოლოგიური ეფექტურობა (ინგლისურ ენაზე)	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “გეოლოგიისა და გეოფიზიკის პრობლემების მოგვარების მულტიდისციპლინარული მიდგომა” ელ. ვერსია. http://gia.az/upload/file/CONFERENCE/young_scient_6/VI_conference_abstracts.pdf გვ. 176	ქ. ბაქო. აზერბაიჯანი	1

ანოტაციები

განხილულია დედამიწის როგორც ერთიანი სისტემის წონასწორობის მდგომარეობაზე მოქმედი ფაქტორები. ლითოსფეროს როგორც გლობალური სისტემის ფუნქციები და მათზე მოქმედი ანტროპოგენური და ბუნებრივი პროცესები.

მოყვანილია ნიადაგის, როგორც ლითოსფეროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილის –ნიადაგის მდგომარეობის ზეგავლენის შესახებ ზოგადი გეოეკოლოგიური მდგომარეობის ზეგავლენის შესახებ ზოგადი გეოეკოლოგიური მდგომარეობის ცვალებადობაზე. განხილულია როგორც ორგანო-მინერალური და ბიოორგანომინერალური სასუქების ახალი თაობების მნიშვნელობის შესახებ ნიადაგების სათანადო ფუნქციურ მდგომარეობაში შენარჩუნებაში და ამით ეკოლოგიური პირობების მართვის საქმეში.

IV სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	თ.გურული	ორგანო-მინერალური და ბიოორგანო მინერალური სასუქების გამოყენების გეოეკოლოგიური ეფექტურობა	12-15 ოქტომბერი 2015წ. ქ. ბაქო, აზერბაიჯანი
მოხსენებათა ანოტაციები განხილულია დედამიწის როგორც ერთიანი სისტემის წონასწორობის მდგომარეობაზე მოქმედი ფაქტორები. ლითოსფეროს როგორც გლობალური სისტემის ფუნქციები და მათზე მოქმედი ანტროპოგენური და ბუნებრივი პროცესები. მოყვანილია ნიადაგის, როგორც ლითოსფეროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილის –ნიადაგის მდგომარეობის ზეგავლენის შესახებ ზოგადი გეოეკოლოგიური მდგომარეობის ზეგავლენის შესახებ ზოგადი გეოეკოლოგიური მდგომარეობის ცვალებადობაზე. განხილულია როგორც ორგანო-მინერალური და ბიოორგანომინერალური სასუქების ახალი თაობების მნიშვნელობის შესახებ ნიადაგების სათანადო ფუნქციურ მდგომარეობაში შენარჩუნებაში და ამით ეკოლოგიური პირობების მართვის საქმეში.			

სსიპ კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის
მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის

მყარი წიაღისეულის განყოფილება

სსიპ კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის

მყარი წიაღისეულის განყოფილების
2016 წლის თანამშრომელთა სია

1. გელეიშვილი ვ.
2. მაჭავარიანი ო.
3. არევაძე დ.
4. აზარიაშვილი ნ.
5. ბენიძე გ.
6. ბოკუჩავა ვ.
7. გაგნიძე მ.
8. გომელაური ა.
9. ზულიაშვილი თ.
10. კელეპტრიშვილი გ.
11. კვიციანი ა.
12. მაქაძე დ.
13. მაქაძე მ.
14. ტაბაღუა ნ.
15. წიკლაური ნ.

ა. გომელაური

ოქროს გამადნების გეოლოგიურ-ძებნითი კრიტერიუმების დადგენა სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ვულკანოგენურ-დანალექ წარმონაქმნებში

(თემის დაწყება: 01.01.2015, დამთავრება: 31.12.2019)

მოკლე საინფორმაციო ანგარიში

პროექტით გათვალისწინებულია ოქროს გამადნების გეოლოგიურ-ძებნითი კრიტერიუმების შემუშავება სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ვულკანოგენურ-დანალექ წარმონაქმნებში, საკითხის ორი პოზიციის გათვალისწინებით; პირველი პოზიცია ეფუძნება სამხთეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ოქრო-მცირესულფიდური (ორსაყდრისი, აღმოსავლეთი წითელსოფელი, ბექთაკარის "კლდოვანი" უბანი) საბადოების და მადანგამოვლინებების ანალოგი სამრეწველო მნიშვნელობის გამადნების გამოვლენის შესაძლებლობის წარმოჩენას. მეორე პოზიციას საფუძვლად უდევს ოქრო-პოლიმეტალური ტიპის (დავით-გარეჯი, ბექთაკარი, ბნელი ხევი, რეხა, ხაჩკოვი) საბადოების და მადანგამოვლინებების შესწავლა. ორივე პოზიციების ანალიზის საფუძველზე შემუშავდება ძებნითი კრიტერიუმები ანალოგიური ტიპის მადნებისათვის.

საანგარიშო პერიოდში შეგროვილი და დამუშავებულ იქნა სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ოქროს საბადოებსა და მადანგამოვლინებებზე არსებული ფონდური და ლიტერატურული მასალა. პარალელურად, ჩატარდა კამერალური სამუშაოები, რომელიც ითვალისწინებდა მოცემულ რეგიონში ვულკანოგენ და ვულკანოგენ-დანალექ წარმონაქმნებში ფორმირებული და ლოკალიზებული საბადოების და მათი მსგავსი მადანგამოვლინებების გეოლოგიური და გენეტური მოდელების ანალიზს. ამ სამუშაოებმა საშუალება მოგვცა მიგვეღო წინასწარი მონაცემები ოქრო-მცირესულფიდური და ოქრო-პოლიმეტალური გამადნების პროგნოზირებისა და ძებნის კრიტერიუმებისა, როგორიცაა: 1. სტრუქტურული, 2. პეტროლოგიური, 3. მინერალოგიური და 4. გეოქიმიური.

სამუშაოები ამ მიმართულებით გრძელდება.

ა. გომელაური

ა. კვიციანი

მ. გაგნიძე

ნ. წიკლაური

21.12.2015

დ. არევაძე

კავკასიონის სამხრეთი ფერდის მდინარეთა ფსკერული ნალექების ანალიზი ოქროს გამადნებათა კვლევის მიზნით

თემის დასაწყისი: 01.03.2014

დასრულება: 31.12.2017

უკანასკნელ ათწლეულებში მთის ქანებისა და მადნების ქიმიური ანალიზის მაღალმგრძნობიარე მეთოდების დანერგვამ გეოლოგიურ სამსახურებს საშუალება მისცა მდინარეთა ფსკერული ნალექების შესწავლით განსაზღვრონ სასარგებლო წიაღისეულის ლოკალიზაციის არეალები.

განვლილ 2015 წელში ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა მთიანი რაჭის მდინარე რიონის აუზის მდინარეთა ფსკერული ნალექები. განისაზღვრა, რომ რაიონის ფსკერული ნალექების ფონური შემცველობა შეადგენს < 0,1 PPB-ს, ხოლო ორ ცნობილ ოქროს საბადოს - ზოფხითოსა და ლუხუმის მკვეთი მდინარეების ფსკერულ ნალექებში ოქროს შემცველობა მერყეობს 0,2-0,7 PPB-ს ფარგლებში.

შესწავლილ 650 კმ^2 ტერიტორიაზე განისაზღვრა სამი ანომალური უბანი, სადაც ჰიდროქსელის ფსკერულ ნალექებში ოქროს შემცველობა შესაბამისად მერყეობს 0.5-3.1, 0.5-158.1 და 0.4-2.5 PPB-ს ფარგლებში.

ერთ-ერთი უბნის, პალეოზოური გრანიტების მკვეთ ნეოგენური დიორიტ-პორფირული დაიკების მიდამოებში, სადაც ცნობილია მოლიბდენის მადანგამოვლინება, ოქროს ანომალური შემცველობის დადგენა გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ ამ ტერიტორიაზე ოქრო-მოლიბდენ-პორფირული გამადნების არსებობა, ხოლო დანარჩენ ორ, ანომალიების ტერიტორიაზე, ანალიზებში ოქროს კორელაცია As და Sb -თან გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ ამ რაიონისათვის ტიპიური ოქრო-დარიშხან-ანთიმონიუმის ტიპის გამადნების არსებობა.

- კონფერენციებში მონაწილეობა
  - Ресурсопроизводящие, малоотходные и природоохранные технологии освоения недр.

XIII Международная конференция

Москва-Тбилиси

15-21 Сентября 2014 г.

- შრომები:

- Аревадзе Д.В. – Термобарогеохимические критерии поисков гидротермальных систем.
- Аревадзе Д.В. Гелеишвили В.И. – О результатах пойсков рудопроявлении золота методом анализа донных осадков речной сети Южного Склона Большого Кавказа.

ვ. გელეიშვილი

საქართველოს მინერალურ-რესურსული ბაზა

სრულდება ორი მიმართულება:

1. საქართველოს ბუნებრივი ქვები
2. საქართველოს ოქროს პოტენციალი

სამუშაოების სრულდებოდა და გაგრძელდება.

- **<u>გრანტები:</u>**

2015 წელს დამთავრდა შოთა რუსთაველის გრანტები:

1. საქართველოს ბუნებრივი მოსაპირკეთებელი ქვები;
2. ბოლნისის მადნიანი რაონის ოქროს პოტენციალი და მისი მოპოვებისა და გადამუშავების ეკოლოგიური პრობლემები.

ჩატარდა შესაბამისი პრეზენტაციები.

მომზადდა „ბუნევრივი ქვების“ მესამე ტომი.

მიმდინარეობს მუშაობა შემაჯამებელი - კრებსითი ტომის შესაქმნელად.

მომზადდა მისი 2 ელ. ვერსია: წიგნის (ალბომის) გამოსაცემად და ინტერნეტისათვის.

ამჟამად მიმდინარეობს სამუშაოები ახალი საგრანტო თემის: „საქართველოს ბუნებრივი ქვების გამოყენება მონუმენტური ხუროთმოძღვრული ნაგებობების შენება რესტავრაციაში“ შესასრულებლად.

- კონფერენციებში მონაწილეობა
  - Ресурсопроизводящие, малоотходные и природоохранные технологии освоения недр.

    XIII Международная конференция

    Москва-Тбилиси

    15-21 Сентября 2014 г.

- შრომები:

  - Гелеишвили В.И. - Природоохранные технологии обогащения золотоносных метосоматитов Маднеульского месторождения.
  - Квиникадзе М.С. Гелеишвили В.И. и др. – Геоэкологические проблемы Грузии.
  - Аревадзе Д.В. Гелеишвили В.И. – О результатах пойсков рудопроявлении золота методом анализа денных осадков речной сети Южного Склона Большого Кавказа.

გ. ბენიძე

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო- კვლევითი სამუშაოები

№	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებელი
1	2	3	4
1	კახეთის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვი-თარების მინერალურ-რესურსული ფაქტორები - პროგნოზულ-მინერაგენიული რუკის შედგენა მასშ-ტაბში 1:200 000; მეცნიერების დარგი: მადნეული საბადოების გეოლოგია-მეტალოგენია, არამადნეული (არამეტალური) საბადოების მინერაგენია. სამეცნიერო მიმართულება: ფერადი მეტალებისა და ოქროს საბადოების პროგნოზირება და პროგნოზულ-ძებნითი კომპლექსების შემუშავება, არამეტალური საბადოების სამრეწველო პოტენციალის შეფასება.	გ. ბენიძე	გ. ბენიძე, თ.ზულიაშვილი, მ.მაქაძე

მიმდინარე კვლევითი სამუშაოს შედეგები

საანგარიშო წელს გაგრძელდა წინა წლის მეორე ნახევარში დაწყებული პროექტის I ეტაპის კვლევითი სამუშაოები.

ფონდური და გამოქვეყნებული ლიტერატურის საფუძველზე განხორციელდა ალაზანგაღმა კახეთის ქვედა-შუაიურული მცირენახშირბადიანი ფიქლებრივი ტერიგენული ნალექების სტრატიგრაფიულ-ლითოფაციალური, ტექტონიკურ-მაგმატური და მადნეულ-გეოლოგიური შესწავლილობის ანალიზი.

გამოყოფილი მადანმატარებელი სერიების (ჰეტანჟ-სინემურულ-ქვედაპლინსბახური, ზედაპლინბახურ-ქვედატოარსული და აალენ-ბაიოსური) ლითოფაციალური მახასიათებლების (მათ შორის პირიტის კონკრეციების მატარებლობის) მიხედვით და ქანებში ორგანული ნახშირბადის განაწილების კანონზომიერებების შესწავლის, აგრეთვე, მაგმური წარმონაქმნების ფორმაციული სისტემატიკისა და მეტალოგენიური როლის განსაზღვრის საფუძველზე დაზუსტდა სტრატიფორმული კოლჩედანური მადანწარმოქმნის დონეები აღნიშნულ სერიებში.

ფონდურ ლიტერატურაში მოძიებული და საკუთარი მონაცემების მიხედვით შედგენილია ალაზანგაღმა კახეთის მეტალმადნიანობის რუკა მასშტაბში 1:200 000. რუკაზე დატანილია რეგიონში ცნობილი სპილენძ-პოლიმეტალური მადანგამოვლინებები რანჟირებული ფორმაციული კუთვნილებისა და მინერალური

ტიპების მიხედვით, აგრეთვე ოქრომადნიანი გამოვლინებები, ამასთან შემდგომი მსხვილმასშტაბიანი (1:25 000 – 1:10 000) ძებნა-ძიებითი სამუშაოებისათვის შეირჩა ოპტიმალური ობიექტები: სპილენძის გამადნებაზე - მდ. ჩელთის მადნიანი კვანძი, ხოლო ოქროს მინერალიზაციაზე - სტორი-საცხვრეხორხის სეგმენტი.

შესრულებულ კვლევებში პრიორიტეტული იყო სპილენძ-პოლიმეტალური მადნების ოქრომატარებლობის საკითხი. აღნიშნული მადნების ძარღვულ-შტოკვერკული ზონები ფლანგებზე, როგორც წესი ნაცვლდებიან კვარც-მცირესულფიდური ოქროსმატარებელი ძარღვებით. ამასთან სხვადასხვა მინერალური ტიპები ხასიათდებიან ოქროს კონცენტრაციის სხვადასხვა ხარისხით. ოქროს ამაღლებული შემცველობები იშვიათად აღინიშნება ქალკოპირიტ-პიროტინულ მადნებში, საკმაოდ ხშირად პიროტინ-პოლიმეტალურში, მაგრამ ამ მეტალის ყველაზე მაღალი და სტაბილური კონცენტრაციები პირიტ-პოლიმეტალური მადნებისათვის არის დამახასიათებელი. ამ გარემოებამ გვიბიძგა კავკასიონის ფიქლებრივი ტერიგენული სარტყელის კახეთის ნაწილში გამოგვეყო მადნიანი მინერალიზაციის ოქრო-პოლიმეტალური ტიპი.

სტორი-საცხვრეხორხის განივი (სუბმერიდიონალური) სეგმენტი, რომლის ფარგლებში უპირატესად პირიტ-პოლიმეტალური მადანგამოვლინებები არის წარმოდგენილი, ყველაზე ხელსაყრელი პოლიგონია ოქრო-პოლიმეტალური მინერალიზაციის შესწავლისა და პროგნოზირებისათვის.

საანგარიშო წელს განხორციელდა რეკოგნოსციული საველე გეოლოგიური სამუშაოები აღნიშნული სეგმენტის ფარგლებში. შესწავლილი იქნა რიგი მადანგამოვლინებების სტრუქტურული და მადნეულ-გეოლოგიური თავისებურებები. ამასთან მადნიანი ზონები და მათი შემცველი ქანები დაისინჯა ფერად მეტალებსა და ოქროზე. დღეისათვის შესრულებულია სინჯების ანალიზი ოქროს შემცველობაზე.

მიღებული შედეგების მიხედვით გამოვლენილ იქნა ოქროს კონცენტრაციების განაწილების სტრუქტურულ-გეოლოგიური და ლითო-ფაციალური ფაქტორები. დაადგინდა, რომ ოქროს მინერალიზაცია საკვლევ რაიონში სტორის განივი (სუბმერიდიონალური) ღრმული რღვევის ფუნქციონირებასთან არის დაკავშირებული. ამასთან ქანებში სხვადასხვა სტრატიგრაფიულ დონეებზე და მათთან დაკავშირებულ მადანგამოვლინებებში ოქროს კონცენტრაციის განმსაზღვრელია ამ ქანების მეტამორფული გარდაქმნის ხასიათი და მადანგამოვლინებათა ნივთიერი შედგენილობა.

სტორის ხეობაში ანტიკლინორიუმის გულში შიშვლდება ჰეტანჭური ასაკის სტორის წყების ჰიდროთერმალურად შეცვლილი ქვიშაქვები ქლორიტ-სერიციტული ფიქლების დასტებით. ისინი ჩრდილოეთით და სამხრთით გადაფარულია სინემურულ-ქვედაპლინსბახური ფილიტიზირებული თიხაფიქლებით ქვიშაქვების შუაშრეებით. ანტიკლინორიუმის ფრთები კი შედარებით საღი ზედაპლინსბახური მონოტონური თიხაფიქლებით და ტოარსულ-აალენური ქვიშაქვა-თიხაფიქლების შრენარებითაა წარმოდგენილი. აღნიშნული ზონალობა სრულ შესაბამისობაშია

მადნების მინერალური ტიპების და ოქროს კონცენტრაციების განაწილების ზონალობათან. სტორის წყებაში დაიკვირვება სპილენძ-პიროტინული (ქალკოპირიტ-პიროტინული) მადნები (სტორის მადანგამოვლინება) ოქროს შემცველობით მეათედ გ/ტ-ებში. მათი შემცველი, მეორად კვარციტებად გარდაქმნილი, ქვიშაქვები და ქლორიტ-სერიციტული მეტასომატიტები ოქროზე სტერილურია, თუმცა რელიქტების სახით შემორჩენილ საღ უბნებში ფიქსირდება ამ მეტალის შემცველობა კლარკზე რამდენიმე რიგით აღმატი ოდენობით. როგორც ჩანს, სტორის წყების ქანებიდან მათი ჰიდროთერმალურად გარდაქმნის პროცესში ასიმილირდებოდა (გადაიტანებოდა) პირველადი ოქრო თუთიასა და ტყვიასთან ერთად და რეგენერირდებოდა ჭრილის ზედა დონეებზე უფრო ახალგაზრდა ნალექებში. ამის დასტურია ოქროს აღმატებული შემცველობები (0,8 გ/ტ-მდე) ზედაპლინსბახურ თიხაფიქლებთან დაკავშირებულ პიროტინ-პოლიმეტალურ გამადნებებში (საცხვრეხორხის მადანგამოვლინება) და უფრო მაღალი (2,8 გ/ტ-მდე) პირიტ-პოლიმეტალური მადნების ცალკეულ სინჯებში ტოარსულ-აალენური ქვიშაქვა-თიხაფიქლების შრენარებში (ფიცრისწვერის ხევის მადანგამოვლინება).

არსებული და ახლადმოპოვებული მონაცემების საფუძველზე შედგენილია ალაზანგაღმა კახეთის პროგნოზულ-მეტალოგენიური რუკის (მასშტაბი: 1:200 000) სამუშაო მაკეტი, რომლის დახვეწა-დაზუსტება 2016 წლის სამუშაო გეგმით არის გათვალისწინებული.

საანგარიშო წელს მონაწილეობა მივიღეთ საქართველოს მინერალოგიური საზოგადოების სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაში, რომელზეც წარდგენილი მოხსენება: „ორგანული ნახშირბადი სტრატიფორმული კოლჩედანური და ძარღვული სპილენძ-პოლიმეტალური მადანწარმოქმნის პროცესებში“ (ავტორი გ. ბენიძე) გამოქვეყნდა ამ კონფერენციის მასალებში.

წინამდებარე პროექტის შემსრულებლის მირიან მაქაძის მონაწილეობით განხორციელდა საგრანტო პროექტი - ვულკანური ეკოსისტემები (04.2015წ - 12.2015წ).

2016 წელს იგი მონაწილეობას მიიღებს საგრანტო პროექტის: სპილენძ-პოლიმეტალური და ოქროს მინერალიზაციის საკითხები ალაზანგაღმა კახეთის ქვედა-შუაიურულ ნალექებში საცხვრეხორხისა და აბანოს უბნების მაგალითზე (01.01.2016წ - 01.08.2016წ) განხორციელებაში.

ინსტიტუტის დირექტორი განყოფილების გამგე

რ. კვატაშიძე ვ. გელეიშვილი

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება **ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი**

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი **ვაჟა კიკნაძე**

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა

ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილება:

განყოფილების გამგე, მთავარი მ/თ – ირინე ტატიშვილი
მთავარი მ/თ – მანანა ხიდაშელი
უფროსი მ/თ – მანანა ხვედელიძე
მ/თ – ნანა ბახსოლიანი

შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილება:

განყოფილების გამგე, მთავარი მ/თ – მარიამ ჩხარტიშვილი
მთავარი მ/თ – ვახტანგ გოილაძე
მთავარი მ/თ – გონელი არახამია
მთავარი მ/თ – გიორგი ქავთარაძე
მთავარი მ/თ – ვაჟა კიკნაძე
მთავარი მ/თ – ეკა კვაჭანტირაძე
უფროსი მ/თ – ქეთევან ქუთათელაძე
უფროსი მ/თ – დავით მერკვილაძე
უფროსი მ/თ – გიორგი ჭეიშვილი
უფროსი მ/თ – მარინე ქადაგიძე
მ/თ – რუსუდან ლაბაძე
მ/თ – მედეა გოგოლაძე
მ/თ – პაპუნა გაბისონია

ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილება:

განყოფილების გამგე, მთავარი მ/თ – ავთანდილ სონღულაშვილი
მთავარი მ/თ – გიორგი საითიძე
მთავარი მ/თ – დოდო ჭუმბურიძე
მთავარი მ/თ – შოთა ვადაჭკორია
მთავარი მ/თ – ნიკოლოზ ჯავახიშვილი
მთავარი მ/თ – ელდარ ბუბულაშვილი
უფროსი მ/თ – გია გელაშვილი
უფროსი მ/თ – ლოლა სარალიძე
უფროსი მ/თ – ხათუნა ქოქრაშვილი
უფროსი მ/თ – ლელა მიქიაშვილი
მ/თ – ირინა არაბიძე
მ/თ – მზია ტყავაშვილი
მ/თ – ნატო სონღულაშვილი
მ/თ – შორენა მურუსიძე

საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილება:

განყოფილების გამგე, მთავარი მ/თ – ქეთევან ხუციშვილი
მთავარი მ/თ – გიორგი გოცირიძე
მთავარი მ/თ – ნინო მინდაძე
უფროსი მ/თ – ხათუნა იოსელიანი
უფროსი მ/თ – ნინო ღამბაშიძე
უფროსი მ/თ – ნინო ჩირგაძე
უფროსი მ/თ – როზეტა გუჯეჯიანი
მ/თ – ქეთევან ალავერდაშვილი
მ/თ – ლელა ნებიერიძე
მ/თ – გიორგი მამარდაშვილი

კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილება:

განყოფილების გამგე, მთავარი მ/თ – როლანდ თოფჩიშვილი
მთავარი მ/თ – სალომე ოქრუაშვილი
მთავარი მ/თ – ლავრენტი ჯანიაშვილი
უფროსი მ/თ – ნათია ჯალაბაძე
უფროსი მ/თ – ირმა კვაშილავა
მ/თ – ჯონი კვიციანი

ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორია:

ლაბორატორიის გამგე, მთავარი მ/თ – ლიანა ბითაძე
უფროსი მ/თ – ვლადიმერ ასლანიშვილი
მ/თ – დავით ჭითანავა
მ/თ – შორენა ლალიაშვილი

I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

I. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	**ძველი ახლო**	ირინე ტატიშვილი	მანანა ხიდაშელი მანანა ხვედელიძე

	აღმოსავლეთის ისტორია (დამხმარე სახელმძღვანელო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის) **დარგი:** *ისტორია* **მიმართულება:** *ძველი ქვეყნების ისტორია*		ნანა ბახსოლიანი
2	**ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისი და განვითარების ეტაპები დიაქრონიულ ჭრილში (წინაქრისტიანული ხანიდან თანამედროვეობამდე)** **დარგი:** *ისტორია, საქართველოს ისტორია* **მიმართულება:** *ძველი, შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი ისტორია*	ვაჟა კიკნაძე	გიორგი ქავთარაძე ვახტანგ გოილაძე დავით მერკვილაძე ქეთევან ქუთათელაძე პაპუნა გაბისონია ავთანდილ სონღულაშვილი გიორგი საითიძე დოდო ჭუმბურიძე შოთა ვადაჭკორია ნიკოლოზ ჯავახიშვილი ელდარ ბუბულაშვილი ლოლა სარალიძე ხათუნა ქოქრაშვილი ლელა მიქიაშვილი გია გელაშვილი ირინა არაბიძე მზია ტყავაშვილი ნატო სონღულაშვილი შორენა მურუსიძე ჯონი კვიციანი თეიმურაზ ჯოჯუა
3	**მულტიკულტურული საქართველო და კავკასია: ეთნოკულტურული ადაპტაციისა და ინტეგრაციის პროცესების ანალიზი** **დარგი:** *ეთნოლოგია, ანთროპოლოგია* **მიმართულება:** *საქართველოსა და კავკასიის ეთნოლოგია*	ნინო მინდაძე	ქეთევან ხუციშვილი გიორგი გოცირიძე ნინო დამბაშიძე ხათუნა იოსელიანი ნინო ჩირგაძე როზეტა გუჯეჯიანი ქეთევან ალავერდაშვილი ლელა ნებიერიძე გიორგი მამარდაშვილი როლანდ თოფჩიშვილი სალომე ოქრუაშვილი ლავრენტი ჯანიაშვილი ნათია ჯალაბაძე ირმა კვაშილავა ლიანა ბითაძე ვლადიმერ ასლანიშვილი დავით ჭითანავა შორენა ლალიაშვილი
4	**ქართული ისტორიული აზრის ისტორია:**	მარიამ ჩხარტიშვილი	გონელი არახამია ეკა კვაჭანტირაძე

	ადამიანები, ტექსტები, იდეები (გვიანი ანტიკურობა - მეოცე საუკუნის პირველი მეოთხედი) **დარგი:** *ისტორია, საქართველოს ისტორია* **მიმართულება:** *ქართველოლოგია, საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია*		მარინე ქადაგიძე გიორგი ჭეიშვილი რუსუდან ლაბაძე მედეა გოგოლაძე
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			
1	როგორც თავად პროექტის სათაურიდან ჩანს, გათვალისწინებულია დამხმარე სახელმძღვანელოს მომზადება ძველი ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში. შესაბამისად, საანგარიშო წლის მანძილზე მომზადდა მასალა სახელმძღვანელოსათვის. კვლევის კონკრეტულ თეორიულ შედეგებზე ლაპარაკი, მასალის სპეციფიკის გათვალისწინებით, რთულია, მაგრამ თავად მასალა შედგენილია კვლევის თანამედროვე ეტაპის სამეცნიერო მიღწევების გათვალისწინებით და პროექტის მონაწილეთა საკუთარ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე დაყრდნობით. ეს გამოიხატა როგორც ცალკეული მოვლენის შეფასებისა თუ დათარიღების დაზუსტებაში, ასევე ზოგადად, სახელმძღვანელოს აგების პრინციპებში. სახელმძღვანელო დაყოფილი იქნება ძირითად თემებად, რომლებიც უხვადაა ილუსტრირებული თარგმანებით ძველი ტექსტებიდან (თარგმანები შესრულებულია ორიგინალიდან პროექტის მონაწილეთა მიერ, რიგ შემთხვევაში ტექსტი ითარგმნა სპეციალურად სახელმძღვანელოსათვის). პროექტის ფარგლებში, მიმდინარე წელს დამუშავდა თემა: ***ხეთების იმპერია,*** ნაშრომი მოიცავს ხეთების მთელ ისტორიას (ძველი სამეფო, შუა და ახალი სამეფოები), ილუსტრირებულს ხეთური ტექსტების ავტორისეული თარგმანებით; თემა: ***სახელმწიფო და საზოგადოება ძველ ეგვიპტეში. ძველი სამეფოს პერიოდი (I-VI დინასტიები).*** ნაშრომში ისტორიულ კონტექსტში განხილულია ის თავისებურებები, რომლებიც მკვეთრად განასხვავებდა ძველ ეგვიპტეს სხვა თანადროული ცივილიზაციებისაგან და რომლებიც ამ ცივილიზაციის გასაოცარი სიცოცხლისუნარიანობის მიზეზად არის მიჩნეული; ეგვიპტის, როგორც სახელმწიფოს, არააგრესიული ბუნება, ადამიანის უნარის გასაოცარი პატივისცემა და ქალის იურიდიული თანასწორობა; თემა: ***ასურეთის ძლიერება და მისი ექსპანსია.*** ნაშრომში თავმოყრილია ძვ. წ. I ათასწლეულში მახლობელ აღმოსავლეთში ჰეგემონი სახელმწიფოს – ასურეთის მიერ წარმოებული ბრძოლების ამსახველი წარწერები, ამის მიხედვით წარმოჩენილია პოლიტიკური ისტორია, დიპლომატიური ურთიერთობები, ეკონომიკური და კულტურული განვითარების ტენდენციები, ასევე, გათვალისწინებულია ეთნოსთა გადაადგილების მნიშვნელობა ახლო აღმოსავლეთის ტერიტორიაზე და სოციალური იერარქია; თემა: ***ბაბილონის სანმოკლე ჰეგემონია.*** ნაშრომში გათვალისწინებულია დინასტიური ცვლილებების მნიშვნელობა ბაბილონის შემდგომი გაძლიერების გზაზე, პოლიტიკური ძალაუფლებისათვის წარმოებული ძირითადი ბრძოლები ასურეთთან და პროასურულ ქალაქებთან, დიპლომატიური სახის ურთიერთობები მიდიას, ბაბილონს, ეგვიპტესა და ლიდიას შორის, სოციალური მდგომარეობა, ეკონომიკური განვითარების რეალიები.		

2	პროექტით განსაზღვრული კვლევის ობიექტია – თანამედროვე სამეცნიერო მონაცემების საფუძველზე ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის გარკვევა და მრავასაუკუნოვანი განვითარების ეტაპების დადგენა-გამოყოფა დიაქრონული პერსპექტივის გათვალისწინებით, წინაქრისტიანული ხანიდან დღემდე. პროექტი ხუთწლიანია და მის განხორციელებაში მონაწილეობს სამი განყოფილება: შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის, ახალი და უახლესი ისტორიისა და კავკასიის ეთნოლოგიის. პროექტის ფარგლებში შესასრულებული ამოცანები ეტაპების (პერიოდების) მიხედვით, მონაწილეებს შორის, თემატურად ასე განაწილდა: **გიორგი ქავთარაძე** – თემა: ***ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისი და განვითარების ეტაპები წინაქრისტიანულ ხანაში (I-II პერიოდი)*** მიმდინარე წელს შესრულდა ზემოაღნიშნული თემის პირველი ნაწილი: „ადრეული წინასახელმწიფოებრივი წარმონაქმნების სახეობები და მათი განმსაზღვრელი ნიშან-თვისებები.“ ჩატარდა თემასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება და გაცნობა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ადრეული წინასახელმწიფოებრივი წარმონაქმნების სახეობების განმსაზღვრელი ნიშან-თვისებების დადგენას; იმ თავისებურებების წარმოჩენას, რომლებიც დამახასიათებელია გვიანი ბრინჯაოს ხანის საზოგადოებებისათვის. **ვახტანგ გოილაძე** – თემა: ***ქართლის სახელმწიფო III-X საუკუნეებში (გარეშე ფაქტორების გავლენა შიდაპოლიტიკურ პროცესებსა და საგარეო ორიენტაციაზე) (I-II პერიოდი)*** მიმდინარე წელს შესრულდა ზემოაღნიშნული თემის ერთი ნაწილი - „ქართლის სამეფო III ს-ის 20-იანი წლებიდან 369 წლამდე.“ ჩატარდა თემასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება და გაცნობა. ქართლის სამეფოს დასავლურ-რომაული ორიენტაცია ძირითადად სასანიანთა ირანის წარმოქმნის შემდეგ რომის იმპერიის აღმოსავლური პროვინციებისა და ამიერკავკასიის ქვეყნების მიმართ მისმა აგრესიამ განაპირობა. რომაელთა წინააღმდეგობის გამო ქართლის სამეფო იმ ხანად, მართალია დაპყრობას გადაურჩა, მაგრამ იძულებული შეიქმნა ირანელთა მეგობრობა ეღიარებინა, რაც ასახულია 362 წელს ამოკვეთილ ‘’ზოროასტრის ქააბას’’ წარწერაში. ქვეყნის დასავლური ორიენტაციის შედეგი იყო მეფე მირიანის მიერ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება. კვლევისას მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ქართული ისტორიოგრაფიის ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის-მირიანის წარმომავლობა. ამიერკავკასიის ქვეყნებში მ.შ. ქართლში გასაბატონებლად რომისა და ირანის მეტოქეობის შედეგი იყო 369 წელს ქართლის სამეფოს ორად გაყოფა, რასაც თავის მხრივ მეფე მირიანის შთამომავალთა-ბაქარიანებსა და რევიანებს შორის დაპირისპირება კვებავდა. ამ დაპირისპირებამ განაპირობა ასევე ქართლში რომაელთა და სომეხთა ერთობლივი ლაშქრობა (368 წ.) და ნერსეს სომეხი მთავარეპისკოპოსის მიერ ქართლის ეკლესიის მეთურად ‘’იობ სომეხის’’ ხელდასხმა.’’ **ვაჟა კიკნაძე** – თემა: ***საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბება და ფუნქციონირება X საუკუნის II ნახევრიდან XV საუკუნის 60-იან წლებამდე (ეკონომიკა, იდეოლოგია, ტერიტორია, სახელმწიფო მოწყობა, განვითარების ტენდენციები) (I-II პერიოდი)*** მიმდინარე წელს შესრულდა ქვეთემა: „საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბება და ფუნქციონირება“ (X ს-ის II ნახევარი – XI ს-ის დასაწყისი)“ მოხდა თემასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება და გაცნობა. ნაშრომში ახლებური კუთხით არის დანახული X-XI სს-ში საქართველოს გაერთიანების პროცესი. ყურადღება გამახვილებულია

	გაერთიანების სოციალურ-პოლიტიკურ და პიროვნულ ფაქტორებზე. ასევე, გაერთიანების დიალექტიკურ წანამძღვრებზე და შემთხვევითობისა და აუცილებლობის კანონის კონკრეტულ გამოვლინებებზე. ამ კუთხით, ერთმანეთთანაა შედარებული ქართული, ევროპული და ბიზანტიური სინამდვილე. **დავით მერკვილაძე** – *თემა: ქართლისა და კახეთის სამეფოები XV საუკუნის II ნახევრიდან XVIII საუკუნის II ნახევრამდე (I-II პერიოდი)* მიმდინარე წელს მოძიებული იქნა საკვლევ ქვეთემასთან: „ქართლისა და კახეთის სამეფოები XVII საუკუნეში“ დაკავშირებული ისტორიული წერილობითი წყაროები და ლიტერატურა. ისტორიული წყაროებიდან მოძიებული და შესწავლილი იქნა როგორც ქართული დოკუმენტური (სხვადასხვა სახის ისტორიული საბუთები, რომელთა დიდი ნაწილი გამოქვეყნებულია თ. ჟორდანიას, ე. თაყაიშვილის, ი. დოლიძის და სხვათა მიერ), ისე ნარატიული მასალა („ახალი ქართლის ცხოვრება“, ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა“, სეხნია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“, ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“), ისევე როგორც ეპოქის თანამედროვეთა მიერ შექმნილი ისტორიული პოემები (თეიმურაზ I-ის, არჩილის, იოსებ თბილელისა). შესასწავლი პერიოდის წყაროებიდან მრავლად იქნა მოძიებული დამუშავებული როგორც აღმოსავლური (ოსმალური, სპარსული, სომხური) ისე რუსული და ევროპული წყაროები. რუსული წყაროებიდან აღსანიშნავია საქართველოში წარმოგზავნილი რუსი ელჩების (ტატიშჩევის, ვოლკონსკის) ელჩობის აღწერილობანი. ევროპულიდან გამოსაყოფია აქ მოღვაწე კათოლიკე მისიონერების: პიეტრო დელა ვალეს, არქანჯელო ლამბერტის, ჯუზეპე ჯუდიჩეს, ქრისტოფორო კასტელის, პიეტრო ავიტაბილესჩანაწერები და მოხსენებები, ისევე როგორც ფრანგი ვაჭრის,ჟან შარდენის საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებანი. ამ ეპოქის ქართლისა და კახეთის ისტორიათან დაკავშირებული ისტორიოგრაფიული ზღვა მასალიდან ლომის წილი ქართველი ისტორიკოსების ნამოღვაწარზე მოდის. ამ პერიოდის კვლევას სხვადასხვა კუთხით მრავალი ისტორიკოსი შეეხო. საჭირო იყო მათი ნაშრომების დახარისხება შესაბამისი მიმართულებების მიხედვით. ამ საერთო მასალიდან კი გამოიყოფა რიგი მიმდინარეობებისა: პოლიტიკური ისტორია, სოციალური ისტორია, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა, მართვის სტრუქტურა და ორგანოები და ა.შ.). აღსანიშნავია, მთლიანობაში მოსაძიებელი და დასამუშავებელი მასალის განსაკუთრებით დიდი რაოდენობა და მოცულობა. **ქეთევან ქუთათელაძე** – *თემა: ქართული სახელმწიფოებრიობის ფორმები XVI-XVIII საუკუნეთა ქართულ წყაროებში (I-II პერიოდი)* მიმდინარე წელს მოხდა საკვლევ ქვეთემასთან: „სახელმწიფოს მმართველობის ფორმები“ დაკავშირებით წყაროების მიმოხილვა და გაანალიზება. წყაროების და სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის შედეგად მომზადდა გამოკვლევა სახელმწიფოს მართვის შესახებ. შესწავლილი იქნა, თუ ზოგადად მმართველობის რა ფორმები არსებობდა ადრეული ახალი დროის საქართველოში. განსახილველი თემა შეეხება სამეფო-სამთავროებად დაშლილი ქართული სახელმწიფოებრიობის ფორმებს, რომელთაც საფუძველი წინა საუკუნეებში ჩაეყარა. საქართველოს დაშლა დააჩქარა XIII-XV სს-ში საქართველოს სახელმწიფოს ირგვლივ განვითარებულმა საგარეო მოვლენებმა. ვფიქრობთ, ერთიანი ქართული სივრცის ხერხემალი ძლიერ დააზიანა მონღოლთა ბატონობამ, სადაც არსებულმა ხას-ინჯუს ინსტიტუტმა, ფაქტიურად ხელი შეუწყო ქართული სახელმწიფოებრიობის დაშლას, სათავადოთა სისტემას,

	რომელიც ქვეყნის დაქუცმაცებულობას იწვევდა და იგი ჩიხურ სიტუაციაში შეჰყავდა, თან ერთვოდა მძიმე საგარეო ფაქტორი, რომელმაც ქვეყნის განვითარების შეფერხება გამოიწვია. ასევე, დამუშავდა მეორე ქვეთემა: „ქართლისა და კახეთის სამეფოები XV საუკუნის II ნახევარში“. საკვლევ ქვეთემასთან დაკავშირებით ისტორიული წყაროებიდან მოძიებული და შესწავლილი იქნა როგორც ქართული დოკუმენტური, ისე ნარატიული მასალა. განსახილველ თემაში მიმოხილულია საკითხთან არსებული წყაროები, რომელთა მონაცემების ფონზე განხილულია XV-ს-ის II ნახევარში საქართველოს სამეფოს დაშლის პოლიტიკური საფუძვლები და ისტორიული ფაქტები. ახლებურად არის გაანალიზებული გამეფებამდე კონსტანტინე მეფის სამფლობელოს კუთვნილების საკითხი. წყაროთა გაანალიზების შედეგად შეიძლება ვიფიქროთ, რომ კონსტანტინე ფლობდა ქვემო ქართლს („სომხითი“, ლორე) და ბარათაშვილებიც მას ემორჩილებოდნენ. აქედან გამომდინარე, ბაგრატ VI ალბათ ვერ აკონტროლებდა სამხრეთ ქართლის ამ ნაწილს. ასევე არ გამოვრიცხავთ, რომ 1477 წლის უზუნ ჰასანის ლაშქრობის ერთ-ერთი მიზეზი საქართველოს სამხრეთი საზღვრის მომიჯნავე ტერიტორიის ლორეს საკითხიც იყო. **პაპუნა გაბისონია** – თემა: ***დასავლეთ საქართველოს სამეფოები I-X საუკუნეებში (I-II პერიოდი)*** მიმდინარე წელს შესრულდა ზემოხსენებული თემის ქვეთემა: „ეგრისი (ლაზიკა) I-V საუკუნეებში. სახელმწიფოებრიობის აღდგენა დასავლეთ საქართველოში და საგარეო ურთიერთობები“. სამუშაოს შესრულების შედეგად, ახლებურად გაშუქდაა შემდეგი საკითხები: ეგრისის მიერ რომის იმპერიისაგან დამოუკიდებლობის მოპოვება; ცვლილებები ეგრისი პოლიტიკურ ცხოვრებაში; შიდასახელმწიფოებრივი მოწყობის ასპექტები; ურთიერთობები რომის იმპერიასთან და ქართლის სამეფოსთან. **ავთანდილ სონღულაშვილი** – თემა: ***ქართველი ხალხის ბრძოლა სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის; ანტირუსული აჯანყებები და მათი მიზნები მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში (I-II პერიოდი)*** წლიურ ნაშრომში „1802 წლის კახეთის თავად-აზნაურთა ქელმენ ჩურის ანტირუსული თავყრილობა,“ რომელიც აღნიშნული თემის ქვეთემაა, შეფასებულია ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების მნიშვნელობა და მძიმე შედეგები ჩვენი ქვეყნისათვის. წარმოჩენილია კახეთის თავადთა 1802 წლის ქელმენ ჩურის საპროტესტო გამოსვლა. ცალკე აღგილი ეთმობა ქართლის მთიანეთის 1804 წლი აჯანყებას, რომელიც პირველი შეიარაღებული გამოსვლა იყო დამპყრობლების წინააღმდეგ. მიმდინარე წელს მოხდა ასევე, წყაროების, ლიტერატურისა და სხვა მასალების (რუკების, ცხრილების, დიაგრამების) მოპოვება და დამუშავება. **დოდო ჭუმბურიძე** – თემა: ***რუსეთის კოლონიური ეკონომიკური, კულტურული და დემოგრაფიული პოლიტიკა ქართველი ერისა და მისი სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ XIX-XX საუკუნეებში (I-II პერიოდი)*** მიმდინარე წელს მომზადდა ქვეთემა: რუსეთის დემოგრაფიული აგრესია და დივერსია ქართველი ერისა და მისი სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ მე-19 ს.-ში. მოპოვებული და გაანალიზებული იქნა თემის შესახებ არსებული წყაროები, ლიტერატურა და სხვა მასალები (რუკები, ცხრილები, დიაგრამები). **გიორგი საითიძე** – თემა: ***პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი აზროვნება მე-20 საუკუნის დასაწყისში; პარლამენტარიზმისა და ავტონომიის იდეა (I-II პერიოდი)*** მიმდინარე წელს მოხდა საკითხის შესახებ არსებული ბიბლიოგრაფიის შედგენა

	და ისტორიოგრაფიული ნაშრომების გაცნობა, საარქივო წერილობითი წყაროების მოძიება და მისი სისტემატიზაცია. საქართველოს ეროვნულ არქივში, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში მოძიებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით, ასევე, სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით, შეიქმნა ნაშრომი „ახალი პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების შექმნა მე-20 საუკუნის დასაწყისში," რომელშიც განხილულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური ვითარება **შოთა ვადაჭკორია** – *თემა: ეროვნული სახელმწიფოებრიობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში (1917-1930 წწ.) (I-II პერიოდი)* მიმდინარე წელს მომზადდა ქვეთემა: „საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და ქვეყნის სამთავრობიო უწყებების ფორმირების საკითხი (1917 – 1918)." მოძიებული და შესწავლილი იქნა თემის შესახებ არსებული ლიტერატურა და სხვა მასალები (რუკები, ცხრილები, დიაგრამები). დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით ნაშრომში დასაბუთებულია: 1) ქართული პოლიტიკური აზრის მესაჭეთა მხრიდან მიმდინარე პროცესების საღი გონებით შეფასებამ და ობიექტური დასკვნების გაკეთებამ, იდეურად მოწინააღმდეგე პოლიტიკური პარტიები კონსესუსის აუცილებლობამდე მიიყვანა. საქართველოს პოლიტიკური ჩიხიდან გამოყვანის რეალური გზების ძიების პირველ საფეხურს ისინი ურთიერთშეთანხმებაში და ერთობლივ მოქმედებაში ხედავდნენ; 2) საქართველოს სამი ძირითადი პოლიტიკური პარტიის (სოციალ–დემოკრატები, ეროვნულ–დემოკრატები, სოციალისტ–ფედერალისტები) ლიდერებს, ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური უძლურების აღიარებიდან გამომდინარე, ოსმალური ბატონობისაგან თავის დახსნის რეალურ გზად ცივილიზებული სახელმწიფოს თანადგომა და მფარველობა მიაჩნდათ. მათი პროგერმანული ორიენტაცია, იმ ეტაპზე სწორად გათვლილ პოლიტიკურ კურსს წარმოადგენდა. იგი ქართულ და გერმანულ სახელმწიფო მოღვაწეთა პოლიტიკურ ინტერესთა თანხვედრას ეფუძნებოდა; 3) აკ.ჩენკელის მიერ ნ.რამიშვილისა და ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმისათვის გაგზავნილ წერილებში (1918 წლის 12– 23 მაისი) მოცემული დებულებები და კონკრეტული მითითებები სწორად გათვლილ, პოლიტიკური ჩიხიდან საქართველოს გამოსაყვან მოქმედების პროგრამას წარმოადგენდა. ამ დოკუმენტების მიხედვით, აკ.ჩხენკელი არა მარტო ეროვნულ მოღვაწედ, არამედ სახელმწიფოებრივად მაღალ დონეზე მოაზროვნე პიროვნებად წარმოჩნდება; 4) აზერბაიჯანელი და სომეხი პოლიტიკური ელიტის მხრიდან აშკარა ღალატმა და უმძიმესი ტვირთის ქართველებზე გადატანამ ქართული პოლიტიკური აზრის მესაჭეებს ძალთა კონსოლიდაციისა და ერთიანი ამიერკავკასიის ძლიერი სახელმწიფოს შექმნის ილუზია დაუმსხვრია. ამ ფაქტმა აღნიშნული გაერთიანების დაშლის ოფიციალურად დადასტურებას და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას (1918 წლის 26 მაისი) შეუწყო ხელი. 1918 წლის 26 მაისის აქტში საქართველოსა და გერმანიის ხელისუფალთა ერთობლივი ინტერესი იყო ჩადებული. იგი 117-წლოვანი ისტორიის შემდეგ ქართული ეროვნული სახელმწიფოს აღდგენისა და ფორმირების საფუძველი გახდა. **ელდარ ბუბულაშვილი** – თემა: *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლი ქართული სახელმწიფოებრივი იდეის გადარჩენისა და საქართველოს სახელმწიფოს აღდგენის საქმეში (მე-19 - მე-20 ს-ის დასაწყისი) (I-II პერიოდი)* მიმდინარე წელს გათვალისწინებული იყო საკითხის შესახებ არსებული ბიბლიოგრაფიის შედგენა და ისტორიოგრაფიული ნაშრომების გაცნობა, საარქივო წერილობითი წყაროების მოძიება და მისი სისტემატიზაცია. დაიწერა პროექტის ნარკვევი: „საქართველოს ეკლესიის საკითხი რუსეთ–საქართველოს შორის XVIII საუკუნის 80–90–იანი წლებში გაფორმებულ

ხელშეკრულებებში (1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი, მეფე გიორგი მე-12-ის სათხოვარი პუნქტები და სხვა).“

ნაშრომში ახლებურად გაშუქებულია, თუ რა ადგილი ეკავა XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს შორის არსებულ დიპლომატიურ ურთიერთობებში საქართველოს ეკლესიის საკითხს. წერილობითი წყაროების მოშველიებით აღნიშნულია, რომ 1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატის მეერვე მუხლით საგრძნობლად ილახებოდა საქართველოს ეკლესიის უფლებები. აგრეთვე აღნიშნულია, რომ ამ აქტით რუსეთის ხელისუფლება თანდათან ამზადებდა ნიადაგს იმისათვის, რომ საქართველოს ეკლესიის სამისიონერო საქმიანობა კავკასიაში მისი კონტროლით განხორციელებულიყო.

საქართველოს ეკლესიის საკითხმა აგრეთვე სათანადო ასახვა ჰპოვა მეფე გიორგი მეთორმეტეს მიერ რუსეთისადმი წარდგენილ სათხოვარ პუნქტებში.

ნიკოლოზ ჯავახიშვილი – თემა: ***საქართველოს სახელმწიფოებრივი სიმბოლიკა (უძველესი დროიდან დღემდე) (I-II პერიოდი)***

მიმდინარე წელს მომზადდა ქვეთემა: „საქართველოს ლითონის ფულის ნიშნების (მონეტების) ისტორია უძველესი დროიდან XV საუკუნემდე.“ წლიური თემა შედგება შესავლის, გამოყენებული ლიტერატურის სიისა და შემდეგი თავებისაგან:

1. კოლხური თეთრი (ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI-III საუკუნეები);
2. კოლხეთის სამონეტო ბაზარი ელინისტურ ხანაში (ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV-I საუკუნეები);
3. იბერიის სამეფოს სამონეტო ბაზარი (ჩვენს წელთაღრიცხვამდე III საუკუნიდან – ჩვენი წელთაღრიცხვით IV საუკუნემდე);
4. პირველი ქართულწარწერიანი მონეტები (IV-VII საუკუნეები);
5. ერთიანი ქართული მონარქია და ქართულ-ბიზანტიური მონეტები (X-XI საუკენეები);
6. სპილენძის მონეტების ეპოქა საქართველოში (XII საუკუნე);
7. ვერცხლის ფულის კრიზისის დასასრული. მონღოლური საოკუპაციო სერიები და კირმანეული თეთრი (XIII საუკუნე);
8. საქართველოს მეფე გიორგი V ბრწყინვალე და “გიორგაული თეთრი” (XIV საუკუნე).

გია გელაშვილი – თემა: ***საქართველოს სამეფო-სამთავროები მე-18 ს.-ის მეორე ნახევარსა და მე-19 ს-ში; მათი სახელმწიფოებრივი სტატუსის, პოლიტიკური ორიენტაციისა და საგარეო ურთიერთობების საკითხები. აღნიშნული პრობლემის შესახებ არსებული ქართული, რუსული და ევროპული წყაროები (I-II პერიოდი)***

მიმდინარე წელს მოძიებული და შესწავლილი იქნა თემის შესახებ არსებული ლიტერატურა და სხვა მასალები (რუკები, ცხრილები, დიაგრამები). მომზადდა ქვეთემა: „ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრივი მოწყობა XVIII საუკუნის II ნახევარში (გერმანული წყაროების მიხედვით)“.

XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის ისტორიის შესასწავლად გერმანულენოვან წყაროთაგან ჩვენ ძირითადად გვაქვს ორი ავტორის ცნობები – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი იოჰან ანტონ გიულდენშტედტი (1745-1781) და იაკობ რაინეგსი (1744-1793).

გიულდენშტედტს პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიის მიერ დაგეგმილი ექსპედიციიდან (1768-1774) წილად ხვდა ჩრდილო კავკასიისა და საქართველოს შესწავლა. აქ ის იმყოფებოდა 1771 წლის სექტემბრიდან 1772 წლის ოქტომბრამდე. ამ მხარეთა შესწავლისთვის მისი „მოგზაურობა“ (გამოიცა ორ ტომად 1787-91 წლებში აკად. პალასის მიერ), არის კაპიტალური ნაშრომი, რომლის მსგავსი მანამდე არც რუსულ და არც დასავლეთ-ევროპულ კავკასიისმცოდნეობით ლიტერატურაში არ იყო.

რაც შეეხება რაინეგსს, მან კონსტანტინოპოლში ყოფნისას გაიცნო ერეკლე II-ის დესპანი მირზა გურგენა ენაკოლოფაშვილი, რომელიც შეუთანხმდა მას საქართველოში ჩასვლის თაობაზე. აქ ის დიდი პატივით მიიღო ერეკლემ 1778 წლის ივლისში და დარჩა 1781 წლის აგვისტომდე. მეორედ გრაფ გ.პოტიომკინის დავალებით იმყოფებოდა 1782 წლის ოქტომბრიდან 1783 წლის ივნისამდე. მესამედ თბილისში ის ახლდა პავლე პოტიომკინს 1784 წლის სექტემბერში. რაინეგსის მიერ დატოვებული მასალები გამოიცა ასევე მისი სიკვდილის შემდეგ ორ ნაწილად 1796 და 1797 წლებში შრედერის მიერ –„კავკასიის საყოველთაო ისტორიულ-ტოპოგრაფიული აღწერა“.

ამ მოგზაურთა ცნობები, რომლებიც მოიცავენ არა მარტო საკუთარი თვალით დანახულსა და პირადად განცდილის აღწერას, არამედ თვით მეფის (რომლის კეთილგანწყობით, თანადგომითა და მფარველობით სარგებლობდნენ) და კარის დიდმოხელეთა მიერ მიწოდებულ ინფორმაციებს, წარმოადგენენ უმნიშვნელოვანეს პირველწყაროს ამ პერიოდის ქართლ-კახეთის ცხოვრების ყოველმხრივი შესწავლისთვის; იქნება ეს პოლიტიკური ისტორია, ორიენტაციის საკითხი, საგარეო ურთიერთობები, ეკონომიკური და სოციალური ვითარება, ეთნოგრაფია, ბუნებათმცოდნეობა და სხვა.

ლელა მიქიაშვილი – თემა: ***საქართველოს სამეფო-სამთავროები მე-18 ს-ის მეორე ნახევარსა და მე-19 ს-ში; მათი სახელმწიფოებრივი სტატუსის, პოლიტიკური ორიენტაციისა და საგარეო ურთიერთობების საკითხები. აღნიშნული პრობლემის შესახებ არსებული ქართული, რუსული და ევროპული წყაროები (I-II პერიოდი)***

წლიურ თემაში, რომელიც ზემოხსენებული თემის ქვეთემაა: „ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობა კავკასიის სახანოებთან (დაღესტნის, შუშის, ყარაბაღის, ერევნის და სხვა ქართული და რუსული წყაროების მიხედვით),“ გადმოცემულია პროექტის დასახულის გეგმით გათვალისწინებული სამუშაოს პირველი ეტაპი: ეპოქის ზოგადი მიმოხილვა და საკითხის ისტორიოგრაფია. ვახტანგ VI-ის მმართველობის პერიოდში მომწიფებული გეგმა ერთიანი სამეფოს აღდგენის შესახებ და თეიმურაზ II და ერეკლე II მოღვაწეობა ამ მიმართულებით; ამიერკავკასიაში ჰეგემონობისათვის ბრძოლის მიმდინარეობა და შედეგები ქართლ-კახეთის სამეფოსა და ა/კ სახანოებს შორის; საქართველოს სახელმწიფოებრივი სტატუსის აღდგენა-განმტკიცებისათვის გატარებული ღონისძიებები და საკანონმდებლო ძეგლები, რეფორმატორული პროექტები; რუსეთში ორგანიზებული ელჩობების მისია; რუსული ოფიციალური ისტორიოგრაფიის წარმომადგენელთა ნაშრომების ზოგადი შეფასება.

ხათუნა ქოქრაშვილი – ***თემა: რუსული მმართველობა საქართველოში (მე-19- მე-20 საუკუნეებში) (I-II პერიოდი)***

მიმდინარე წელს შესრულდა ქვეთემა: „რუსული მმართველობის დამყარება აღმოსავლეთ საქართველოში XIX საუკუნის I მეოთხედში.“

თემის შესახებ მოპოვებულ და დამუშავებულ სამეცნიერო ლიტერატურაზე, წყაროებსა და დოკუმენტებზე დაყრდნობით, განხილულია რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და რუსული მმართველობის სისტემის დამყარება აღმოსავლეთ საქართველოში XIX საუკუნის დასაწყისში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქართლ-კახეთის მეფის გიორგი XII-ის სათხოვარი პუნქტების, პავლე I-ისა და ალექსანდრე I-ის მანიფესტების, რუსეთის სახელმწიფო საბჭოში საქართველოს საკითხის განხილვას ,ქართლ-კახეთის მართვის შესახებ 1801 წლის 12 სექტემბრის დებულების ანალიზს, ასახულია რუსული მმართველობის სისტემის შემოღება: „საქართველოს უზენაესი მართველობის“ შექმნა, ქვეყნის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური დაყოფა რუსული მმართველობის შედეგები მისი დამყარების პირველ წლებში.

ლოლა სარალიძე – თემა: ***საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საკითხი საერთაშორისო კონფერენციებსა და ქართულ ემიგრანტულ წრეებში (I-II***

პერიოდი)

ძირითადი თემის ფარგლებში, მიმდინარე წელს მოხდა არსებული ბიბლიოგრაფიის შედგენა და ისტორიოგრაფიული ნაშრომების გაცნობა, საარქივო წერილობითი წყაროების მოძიება და მისი სისტემატიზაცია.

შესრულდა ქვეთემა: „ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ბრძოლა სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გასაბჭოების შემდეგ (1921-1923 წწ.).“

ნაშრომში განხილულია საკითხის ისტორიოგრაფია, ლევილის და ჰარვარდის დოკუმენტებიდან გამოვლენილი ფონდების მასალები, ასევე, ემიგრაციული ლიტერატურა და ემიგრაციული პრესის მასალები, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, უშიშროების არქივში დაცული მასალები, რასაც ნაშრომი ეფუძნება. აღნიშნულია, რომ რუსეთის ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ თურქებთან თანამშრომლობის შედეგად, ოსმალეთს გადასცა საქართველოს და სომხეთის მიწები, ჯერ 1921 წლის 16 მარტის რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულებით და შემდეგ, 1921 წლის 13 ოქტომბერს, ამიერკავკასიის რესპუბლიკებს, ყარსში დაადებინეს ხელშეკრულება ოსმალეთთან, რითაც დაამტკიცებინეს მოსკოვის ხელშეკრულების მუხლები. ოსმალეთის საკუთრებად აცნობინეს მათ საკუთარი მიწები: ყარსის, არტაანის, ართვინის ოლქები მთლიანად და ბათუმის ოლქის ნაწილი, რითაც ამ რესპუბლიკების არსებობას საფუძველი შეურყიეს. რუსმა ბოლშევიკებმა მხოლოდ რამდენიმე თვე შეინახეს საქართველოს ფიქტიური დამოუკიდებლობა. იმავე, 1921 წელს, რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბრძანებით, გააუქმეს ის და სომხეთ-აზერბაიჯანთან ერთად, ერთ ფედერაციაში შეუერთეს რუსეთის, უკრაინის და თურქესტანის რესპუბლიკებს. ეს მომხდარა ქართველი კომუნისტების თანხმობით. მაშინ ქართველ კომუნისტებს სურდათ, რომ საქართველო ცალკე შესულიყო კავშირში და არა ამიერკავკასიის ფედერაციის სახით. რუსეთის ხელისუფლების წინადადებებისა და ბრძანების მოწინააღმდეგე ყველა ქართველი კომუნისტი თანამდებობებიდან გადააყენეს და რუსეთში გადაასახლეს. ნაშრომში ვრცლად არის განხილული საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, ეროვნული მთავრობის მიერ საქართველოდან წასვლის ისტორია, აღნიშნულია, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას არანაირ კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია, რაც შემდეგში, 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საფუძველი გახდა. ნაშრომში ხაზგასმულია, რომ საზღვარგარეთ, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ბრძოლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კომუნისტური რეჟიმის პირობებში მყოფი საქართველოს საკითხის გასაცნობად.

მზია ტყავაშვილი – თემა: ***საქართველო რუსეთის აღმოსავლურ და კავკასიურ ომებში (მე-18- მე-19 სს.); ისტორიული ტერიტორიების დაბრუნების საკითხი (I-II პერიოდი)***

მიმდინარე წელს, I პერიოდში მოხდა საკითხის შესახებ არსებული ბიბლიოგრაფიის შედგენა და ისტორიოგრაფიული ნაშრომების გაცნობა, საარქივო წერილობითი წყაროების (ქართულ, რუსულ და უცხოურ) მოძიება და მისი სისტემატიზაცია.

II პერიოდში კი, შეიქმნა ნაშრომი (ქვეთემა): „რუსეთის სამხრეთის ლაშქრობა (1722 წ.) და მისი შედეგები ქართული სახელმწიფოს შემდგომ განვითარებაზე; რუსეთ-ოსმალეთის ომები (1736-1739; 1768-1774 წწ) და მისი შედეგები (ქუჩუკ-კაინარჯის ზავის პირობები).“

ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია: 1722 წლის ივლის-სექტემბერში მოწყობილი სამხრეთის ე.წ. „ნიზოვოის“ ლაშქრობა, რომელსაც თვით პეტრე I ედგა სათავეში; 1736-39 წლებში წლებში მიმდინარე რუსეთ-ოსმალეთის ომი, რომელშიც რუსეთი მიზნად ისახავდა შავ ზღვაზე გასვლას და ყირიმის სახანოს განეიტრალებას; 1768-1774 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი; 1774

	წელსრუსეთსა და ოსმალეთს შორის ქუჩუკ-კაინარჯის ზავის დადების პირობები და საქართველოს კავშირი ზემოთ ჩამოთვლილ მოვლენებთან. **ირინე არაბიძე** – თემა: ***საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917 წლიდან დღემდე, მისი სახელმწიფოებრივ-ეროვნული მისია (I-II პერიოდი)*** მიმდინარე წელს მოხდა თემის შესახებ არსებული ბიბლიოგრაფიის შედგენა და ისტორიოგრაფიული ნაშრომების გაცნობა, საარქივო წერილობითი წყაროების მოძიება-სისტემატიზაცია. თემის ფარგლებში შეიქმნა ნაშრომი: „საქართველოს ეკლესიის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მისია 1917-1918 წლებში," რომელშიც განხილულია 1917 წლის 12 (25) მარტს, ეკლესიის გაუქმებული ავტოკეფალიის აღდგენის გამოცხადება; საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის აღდგენა აფხაზეთში; ავტოკეფალიისათვის ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის შემადგენელი ნაწილი იყო ; თუ როგორ იბრძოდნენ პოლიტიკოსები და პოლიტიკური პარტიები ეკლესიის ავტოკეფალიის განხორციელებისათვის ბრძოლაში. რუსეთის დროებითმა მთავრობამ რუსეთის სახელმწიფოს ერთიანობის შენარჩუნების მიზნით, აღდგენილი ავტოკეფალია მხოლოდ ეროვნული ნიშნით დაამტკიცა. საქართველოს ეკლესიის უფლებების სრულად აღდგენას დროებით მთავრობასთან ერთად, მრავალი დაბრკოლება შეუქმნა რუსეთის წმ. სინოდმა. მათ წინააღმდეგ წარმოებული ყოველდღიური ბრძოლის მიუხედავად, ეკლესია გამუდმებით ფიქრობდა მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე, ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. სამღვდელოება ცდილობდა სახელმწიფოს მოწყობის ურთულეს საქმეში თავისი წვლილი შეეტანა და საზოგადოების სხვა წევრებს არ ჩამორჩენოდა. ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენამ ისტორიული როლი შეასრულა სახელმწიფოებრიობის აღდგენის საქმეში, ეროვნული ცნობიერების გაღრმავებაში. **ნატო სონღულაშვილი** – თემა: ***1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნები, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა (I-II პერიოდი)*** წლიური ნაშრომი (ქვეთემა): „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პროცესი საქართველოში XX საუკუნის 40-80-იან წლებში". ნაშრომში შესწავლილია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მნიშვნელობა და როლი კონკრეტულ ქრონოლოგიურ მონაკვეთში. განხილულია როგორ აღიქმებოდა ეროვნული იდეის მნიშვნელობა ქართული საზოგადოების ცნობიერებაში და რა დატვირთვა გააჩნდა აღნიშნულ მოძრაობას იდეოლოგიური კუთხით. თემის შესაქმნელად, I პერიოდში მოძიებული და დამუშავებული იქნა საჭირო წყაროები, ლიტერატურა და სხვა მასალები (რუკები, ცხრილები, დიაგრამები). **შორენა მურუსიძე** – თემა: ***რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქრთველოს ანექსია და ოკუპაცია, ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენისათვის (1921-1924 წწ.) (I-II პერიოდი)*** მიმდინარე წელს შესრულდა ქვეთემა: „რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს ოკუპაცია და სახელმწიფო ინსტიტუტების ნგრევა)," მოხდა საკითხის შესახებ არსებული ბიბლიოგრაფიის შედგენა და ისტორიოგრაფიული ნაშრომების გაცნობა, საარქივო წერილობითი წყაროების მოძიება და მისი სისტემატიზაცია. წლიური თემა ეხება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის საკითხს, კერძოდ რა წინაპირობები ჰქონდა საქართველოს ოკუპაციას, ჰქონდა თუ არა ქვეყანას საერთაშორისო მხარდაჭერის იმედი, რა ღონისძიებებს ატარებდა იმდროინდელი მთავრობა მოპოვებული სუვერენიტეტის შენარჩუნების მიზნით ქვეყნის შგნით (სამხედრო რეფორმის სახით) და ქვეყნის გარეთ (ევროპული სახელმწიფოებისგან დახმარების მისაღებად), როგორ ცდილობდა რაბჭოთა რუსეთი

ერთი მხრივ ეთნიკური უმცირესობების წაქეზებით და მეორე მხრივ შიდა არეულობების პროვოცირებით ხელისუფლების შეცვლას საქართველოში, როგორ განხორციელდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია და რატომ ვერ შეძლო ქვეყანამ დამოუკიდებლობის შენარჩუნება.

ჯონი კვიციანი – თემა: ***პოსტსაბჭოური მოდერნიზაცია საქართველოში და ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობის პრობლემა (I-II პერიოდი)***

მიმდინარე წელს მოხდა თემასთან დაკავშირებული მასალების, დოკუმენტებისა და ლიტერატურის შეგროვება, გაცნობა და სისტემატიზაცია. შეიქმნა ნარკვევი, რომელიც აღნიშნული ხუთწლიანი თემის ნაწილია: „საბჭოთა სახელმწიფოებრიობის კრიზისი 80-ან წლების ბოლოს და ავტონომიების საკითხი საქართველოში. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში.“

თემის ანალიზის პროცესში ნაჩვენებია აფხაზთა ეთნიკურობის ფაქტორის როლი ქართული სახელმწიფოებრიობის მოწყობის პროცესებში.

თეიმურაზ ჯოჯუა – თემა: ***სამცხის სამთავრო XIII-XVI საუკუნეებში (პოლიტიკური სტატუსი, სუვერენიტეტი, ტერიტორია, საზღვრები, მმართველობის სისტემა, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა, ქალაქები, რელიგიური ცენტრები, მოსახლეობა, სოციალური სისტემა, სამართალი, საშინაო და საგარეო პოლიტიკა, სამონეტო ემისია) (I-II პერიოდი)***

მიმდინარე წლის I პერიოდში, მოძიებული იქნა საკვლევ თემასთან დაკავშირებული ქართული, ოსმალური, სპარსული, სომხური, ბერძნული და ლათინური წერილობითი წყაროები. მოხდა მათი თავმოყრა, კლასიფიკაცია და სისტემატიზაცია, აგრეთვე, საკვლევი თემის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავება; II პერიოდში, საკვლევი თემის I ქვეთავის „სამცხის სამთავრო – ნახევრადდამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ერთეული ილხანთა ყაენისა და აღმოსავლეთ საქართველოს მეფის დაქვემდებარებაში (1260-იანი წწ. – 1310-იანი წწ.)“ I ნაწილი დაიწერა, რის შედეგადაც: 1. სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა მრავალრცხოვანი ანდერძ-მინაწერები, ეპიგრაფიკული ძეგლები და სხვა, რომლებიც არასოდეს ყოფილა გამოქვეყნებული; 2. გამოვლინდა აქამდე სრულებით უცნობი ისტორიული ფაქტები და მოვლენები; 3. წარმოჩინდა ისტორიული პროცესები, რომელთა შესახებ სამეცნიერო საზოგადოებას ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივი წარმოდგენა ჰქონდა; 4. დაზუსტდა წინამორბედ მკვლევართა მიერ გამოთქმული მოსაზრებები; და სხვ.

გამოვლენილი და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილი წერილობითი ძეგლებიდან, პირველ რიგში, აღსანიშნავია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული XI საუკუნის ჰომილეტიკურ-ჰაგიოგრაფიული კრებულისათვის (S-1276) დართული ვრცელი მხედრული მინაწერი, რომელიც უძვირფასეს ცნობებს გვაწვდის სამცხის სამთავროს XV საუკუნის ისტორიის შესახებ. კერძოდ, დღემდე სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული იყო მოსაზრება, რომ სამცხის მთავრებთან – ჯაყელებთან დაპირისპირებულმა ტაოს ერისთავებმა – ფანასკერტელებმა XV საუკუნის II ნახევარში სამხრეთ-დასავლეთ საქართველო დატოვეს და ქართლში გადასახლდნენ, ყოფილი ტაოს საერისთავოს ტერიტორია კი ჯაყელებმა დაიკავეს. ზემოთ ნახსენები ჰომილეტიკურ-ჰაგიოგრაფიული კრებულის (S-1276) ახლადგამოვლენილი მინაწერის შესწავლამ აჩვენა, რომ სამცხის მთავრების მიერ ყოფილი ტაოს საერისთავოს ტერიტორიის შემოერთების პროცესი საკმაოდ განსხვავებული და ბევრად უფრო რთული სახით წარიმართა: ფანასკერტელების გადასახლების შემდეგ ტაოს საერისთავოს ჩრდილოეთი ნაწილი ნამდვილად ჯაყელებმა დაიკავეს, თუმცა საერისთავოს სამხრეთი ნაწილი, უფრო ზუსტად კი, ხახულის თემი, აყ-ყოინლუს თურქმანული სახელმწიფოსადმი დაქვემდებარებულ ქალაქ ერზინკაში (ერზინჯანში) გაბატონებულმა ახიათა ისლამურმა სავაჭრო-რელიგიურმა

	ორდენმა მიიტაცა. გარკვეული პერიოდის შემდეგ ფანასკერტელთა ყოფილმა ვასალებმა, ტაოელმა ფეოდალმა წმედისძეებმა ახიათა ორდენისაგან ხახულის თემი „იშოვნეს“, სოფელ ხახულში დასახლდნენ და წმედისძე-ხახულართა გვარი მიიღეს. სამცხის მთავრებმა შექმნილი ვითარება მოხერხებულად გამოიყენეს, მათ წმედისძე-ხახულარებს ოშკის ტაძარი გადასცეს და ამ გზით, ერთი მხრივ, წმედისძე-ხახულარები აქციეს საკუთარ ვასალებად, ხოლო, მეორე მხრივ, ყოფილი ტაოს საერისთავოს სამხრეთ ნაწილზე თავისი იურისდიქცია გაავრცელეს. სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილი წერილობითი ძეგლებიდან, აგრეთვე, აღსანიშნავია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული XV საუკუნის მარხვანისათვის (H-375ა) დართული ვრცელი მხედრული მინაწერი, რომელიც უძვირფასეს ცნობებს გვაწვდის სამცხის სამთავროს XVI საუკუნის I ნახევრის ისტორიის შესახებ. დღემდე სამეცნიერო ლიტერატურაში მყარად იყო დამკვიდრებული მოსაზრება, რომ სამცხის მთავარმა – ჯაყელებმა XV საუკუნის II ნახევარში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან საბოლოოდ განდევნეს ტაოს ერისთავები – ფანასკერტელები და სამუდამოდ გააუქმეს ტაოს საერისთავო, რომელიც ამ რეგიონში მოქმედი, საქართველოს სამეფო კარისადმი დაქვემდებარებული უკანასკნელი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული იყო. ზემოთ ნახსენები მარხვანის (H-375ა) ახლადგამოვლენილი მინაწერის შესწავლამ აჩვენა, რომ აღნიშნული მოსაზრება მარტებული არ არის და ტაოს საერისთავო XV საუკუნის II ნახევარში სამუდამოდ არ გაუქმებულა: 1535-1536 წლებში დასავლეთ საქართველოს მეფე ბაგრატ III-ემ სამცხის სამთავრო დაპყრო და ამ ტერიტორიაზე სამეფო ხელისუფლებისათვის დამახასიათებელი მმართველობის ინსტიტუტები შემოიღო, პირველ რიგში კი, ჯაყელების მიერ გაუქმებული ტაოს საერისთავო აღადგინა. მეფე ბაგრატ III-ემ ტაოს ერისთავის თანამდებობა ძლიერ და გავლენიან ადგილობრივ ფეოდალს გიორგი კავკასიძეს უბოძა. ახლადაღდგენილმა ტაოს საერისთავომ, დაახლოებით, 10 წელი იარსება. 1545 წელს, ოსმალებმა მეფე ბაგრატ III სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან განდევნეს, სამცხის სამთავრო აღადგინეს და ხელისუფლება კვლავ ჯაყელებს გადასცეს. ჯაყელებმა მეფე ბაგრატ III-ის მიერ შემოღებული მმართველობის ინსტიტუტები მოშალეს და ტაოს საერისთავო ამჯერად, უკვე სამუდამოდ გააუქმეს. მიმდინარე წელს ჩატარებული კვლევების შედეგები წარდგენილი იქნა სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე. სამეცნიერო სტატიების ნაწილი დაიბეჭდა სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში, ნაწილი კი, გადაცემულია დასაბეჭდად.
3	პროექტის ფარგლებში მომზადდა სამეცნიერო ნაშრომები; ამასთანავე, პროექტის თემატური ნაწილები თანამშრომლების მიერ წარდგენილ იქნა სამეცნიერო კონფერენციებზე, ნაწილი გადაცემულია დასაბეჭდად სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში. **ქვეპროგრამა 1: ტრადიციული ანთროპოეკოლოგიური კულტურა და თანამრედროვეობა.** თემა – ***პალეოანთროპოლოგიური კვლევის ეკოლოგიური ასპექტები*** (ლ. ბითაძე, შ. ლალიაშვილი); **ძირითადი შედეგები:** მტკვარ–არაქსის კულტურის (ადრე ბრინჯაოს ხანა) გავრცელების დროს ხდება გლობალური დათბობა. მოსახლეობა გამოირჩევა პოლიმორფიზმით, ჭარბობენ დოლიქოკრანები. ფიზიოლოგიური სტრესის მარკერებიდან აღინიშნება: ჰიპეროსტოზები (თხემზე და კეფაზე), იშვიათია Cribra orbitalia (ანემიის, რკინის დეფიციტის, მწვავე ინფექციების მაჩვენებელი),

ჭობარეთის (1615 მ. ზღვის დონიდან) კლიმატი თბილი და ნოტიო იყო. იზრდებოდა ცაცხვი, მუხა, რცხილა, ძელქვა, ჭარბობდნენ წიწვოვნები. ხარობდა ვაზი, კაკალი, თხილი, მოჰყავდათ ხორბლი, ქერი, შვრია, ფეტვი. იკვეთება მიწის ნაკელით განაყოფიერების ნიშნები. კვების რაციონი შერეულ ხასიათს ატარებდა, ცხოველური საკვების მეტი ხვედრითი წილით. კვების რაციონში არ ჩანს სოციალური, ასაკობრივი და სქესობრივი განსხვავება. მაღალმთიანეთის თბილი კლიმატი, ნოყიერი ნიადაგი, მცენარეულობა, ჰიდროგრაფიული ქსელი ხელს უწყობდა მიწათმოქმედების და მესაქონლეობის განვითარებას ამიტომ მტკვარ–არაქსის კულტურამ ჰპოვა ფართო გავრცელება და სხვადასხვა ეკოლოგიური ნიშის დაკავება. მოსახლების სიცოცხლის საშუალო ასაკი მაღალია (საშუალოდ 35,8).

თემა – ***ბიოგეოგრაფიული გარემო და უძველესი ადამიანის ცხოვრების წესი დასავლეთ საქართველოში (არქეოლოგიური მასალების მიხედვით)*** (დ. ჭითანავა).

საკვლევი ეპოქა მოიცავს პერიოდს ძველი ქვის ხანიდან ადრერკინის ხანამდე ნაშრომში ეპოქალურად წარმოდგენილია ბიოგეოგრაფიული გარემოს მიმართება ადამიანის ცხოვრების წესთან, ნაჩვენებია ცხოვრების წესის თავისებურებები და მისი განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორები. ბიოგეოგრაფიული გარემო მნიშვნელოვან, მაგრამ არაერთადერთ, როლს თამაშობდა ადამიანის ცხოვრების წესის ჩამო-ყალიბებაში. კოლხეთის სპეციფიკურ გარემოში (ჭაობიანი ნიადაგი) ძვ. წ. **III** ათასწლეულიდან **II** საუკუნემდე ვრცელდება დასახლების თავისებური სისტემა – ხელოვნური და ბუნებრივი ბორცვ–სამოსახლოები („დიხა–გუძუბა). ასეთ დასახლებათა სიხშირე და „დიხა-გუძუბას“ ფართობი მიუთითებს იმდროინდელი კოლხეთის მოსახლეობის მრავალრიცხოვნებაზე. ნაჩვენებია როგორც დასახლების ტოპოგრაფიის, ისე დასახლების მორფოლოგიის ძირითადი თავისებურებები.

თემა – ***აფხაზეთის და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის, ქართლისა და ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის ანთროპოეკოლოგიური კულტურა.*** ქვეთემები: ***ბუნებასთან ადამიანის ადაპტაციის ხალხური ტრადიციები*** (ლ. ნებიერიძე), ***ადამიანი და სოციალური გარემო*** (ნ. ჩირგაძე), ***ადამიანი და ხალხური რელიგიური სისტემა*** (ნ. მინდაძე).

ძირითადი შედეგები: იძულებით გადაადგილებულ მისახლეობას სოფლის მსგავს დასახლებებში, მოჰყავთ ხილი და ბოსტნეული. ამზადებენ ტრადიციულ შესანახ პროდუქციას (ჩირი, საწებლები, აჯიკა, ჩურჩხელა და სხვ.). ქალაქის პირობებში იგივე პროდუქტი მზადდება ნაყიდი ნედლეულისგან. კვების რაციონში, განსაკუთრებით სადღესასწაულო დღეებში ჭარბობს ტრადიციული კერძები.

შენარჩუნებულია ტრადიციული პატრიარქალური ოჯახის ფორმა, ინოვაციური სახეცვლილებებით, მამაკაცი სოციალურ სისტემაში უფრო მნიშვნელოვან ფიგურად აღიქმება, ვიდრე ქალი, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ოჯახს შენახვაც კი ქალებს უხდებათ. შედარებით კონსერვატულია სოციალური დაცვის ხალხური ტრადიციები.

ხალხური რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნის ტრადიცია (სახლთანგელოზობა და სხვ.) ქრება. ძირითადად აღინიშნება ქრიდსტიანული დღესასწაულები (აღდგომა, შობა...) და ახალი წელი. რელიგიური კალენდარი

(დღესასწაულები, მარხვები, უქმეები) მეტნაკლებად აწესრიგებს დევნილი მოსახლეობის შრომა–დასვენების სისტემას. რელიგიური გააზრება უდევს საფუძვლად სოლიდარობის ხალხურ ტრადიციებს, რომელთაგან ნაწილი კვლავ ფუნქციონირებს. ხალხური ტრადიციები ეხმარება იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობას ახალ გარემოსთან ადაპტირებასა და იდენტობის შენარჩუნებაში.

პრაქტიკული რეკომენდაციები:

1. გაიხსნას ტრადიციული პროდუქტის დამამზადებელი მცირე საწარმოები - (სოფლის ტიპის დასახლებებში, კვების ობიექტები (ტრადიციული სამზარეულოთი) - ქალაქში, დევნილთა დასახლებებში. პროდუქციის გასაღებას პერიოდულად ჰქონდეს საქველმოქმედო აქციის ფორმა, რაც რამდენადმე შეუმსუბუქებს დევნილ მოსახლეობას მატერიალურ გასაჭირს და ხელს შეუწყობს ჩვენი საზოგადოების საქველმოქმედო კულტურის ამაღლებას.
2. ტელევიზიის რომელიმე არხზე მოეწყოს გადაცემათა სერია დევნილთა მონაწილეობით. ისაუბრონ თავიანთ ცხოვრებაზე, ტრადიციებზე, გასაჭირზე... ასეთი გადაცემები ხელს შეუწყობს დევნილი მოსახლეობის მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობის შემსუბუქებას და ფართო საზოგადოების დაინტერესებას მათი ყოფით და პრობლემებით.

ქვეპროგრამა 2: მოდერნიზაციის პროცესების გავლენა ქართველებსა და საქართველოში მცხოვრებ სხვა ეთნოკულტურულ ჯგუფთა ტრადიციულ კულტურაზე, მათ შორის მიმდინარე ინტეგრაციულ პროცესებზე.

თემა – *სომხების განსახლებისა და დასახლების ფორმები ქვემო ქართლსა და სამცხე–ჯავახეთში* (ლ. ჯანიაშვილი).

ძირითადი შედეგები: სამცხე–ჯავახეთსა და ქვემო ქართლში კომპაქტური სომხური დასახლებების გაჩენა ძირითადად მე–19 საუკუნის რუსული იმპერიული პოლიტიკის შედეგია. მესხეთის სომხურ სოფლებში გვიანობამდე ფიქსირდებოდა პატრონიმიული განსახლება, უბნები – ნათესაობით დაკავშირებული ოჯახების საკუთრებაში მყოფი რამდენიმე ერდოიან-გვირგვინიანი საცხოვრებელი და სამეურნეო კომპლექსი (გლხატუნ, გოღიატუნ). ქვემო ქართლში პატრომიული განსახლება შედარებით ნაკლებად შემოინახა. ეთნიკური იერსახე ჰქონდა შენარჩუნებული საცხოვრებლის საკულტო დანიშნულების ელემენტებს. ქვემო ქართლისა და სამცხე–ჯავახეთის ყველა ეთნიკურ ჯგუფში საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების უნიფიკაცია//მოდერნიზაციის პროცესი გასული საუკუნის 30–იან წლებში დაიწყო.

თემა – *აზერბაიჯანელთა განსახლებისა და დასახლების ფორმები შიდა და ქვემო ქართლის რეგიონების მიხედვით* (ხ. ოისელიანი).

ძირითადი შედეგები: თურქულენოვანი მოსახლეობის (აზერბაიჯანელების წინაპრების) ინფილტრაცია აღმ. საქართველოში გვიანი შუა საუკუნეებიდან გააქტიურდა. ამ კონტიგენტეზე მკვეთრი გავლენა მოახდინა ადგილობრივმა ეთნიკურმა გარემომ. ქართლის თურქულენოვანი მოსახლეობა ბინადარ ცხოვრებაზე გადავიდა, შეიცვალა მეურნეობის სახე, დასახლების ფორმა და საცხოვრებელი. მესაქონლეობასთან ერთად, განვითარდა მიწათმოქმედება. მომთაბარე–ნომადური ტიპის მეცხოველეობას ჩაენაცვლა მთაბარული და ბარული მეცხოველეობა. ქვემო ქართლის მუსლიმთა შორის მე-19 ს-სა და მე-20 საუკუნის დამდეგს გავრცელებული დარბაზული ტიპის საცხოვრებლის ინტენსიური მოდიფიკაცია ქართლის აზერბაიჯანულ მოსახლეობაში მე–20 საუკუნის შუა ხანებში დაიწყო.

	თემა – *აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკური სურათის ისტორიული საფუძვლები და განვითარების დინამიკა; მოჰაჯირობის როლი აფხაზეთის ეთნიკური სურათის ჩამოყალიბებაში* (გ. მამარდაშვილი). **ძირითადი შედეგები:** ქართული და უცხოური წყაროების, ტოპონიმიკური, ონომასტიკური და ანთროპონიმული მასალის მიხედვით, მე–16–17 სს–ში ცენტრალური და სამხრეთ აღმოსავლეთ აფხაზეთის მოსახლეობა ქართველური იყო. აფხაზურ-ადიღეური გვარების, ტომების მოძრაობას ჩრდილოკავკასიიდან სამხრეთის, დღევანდელი აფხაზეთის მიმართულებით ნათლად გვაჩვენებს თვით აფხაზური ლეგენდები, მითები და გადმოცემები აფხაზურ გვართა წარმომავლობების შესახებ. აფხაზეთის ტერიტორიის ეთნოდემოგრაფიული სურათის ინტერპრეტაცია ქართველი, რუსი და აფხაზი მეცნიერების მიერ განსხვავებულია ხშირად ტენდენციური და პოლიტიკურ მიზნებს ემსახურება. თემა – *საქართველოში მცხოვრები ქისტების ანთროპოლოგიური ანალიზი* (ვლ. ასლანიშვილი). **ძირითადი შედეგები:** ანთროპოლოგიური მონაცემებით, საქართველოში მცხოვრები ქისტური ჯგუფი მთლიანობაში არ მიეკუთვნება კავკასიონური ვარიანტისათვის ტიპურს, მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეთა მანძილზე კავკასიონის ვარიანტში შემავალ, ჩრდილო კავკასიის მაღალ მთაში განფენილ ჩეჩენ-ინგუშთა გვერდით ცხოვრობდა და ურთიერთობდა. პანკისელი (ჯო-ყოლო, დუისი, ბირკიანი) ქისტების გამოკვლეული ჯგუფი შედის კუდაროულსა და წინააზიურ ანთროპოლოგიურ ტიპებში. საქართველოში მცხოვრები ქისტების გამოკვლეული ჯგუფი შედის კუდაროულსა და წინააზიურ ანთროპოლოგიურ ტიპებში. **ქვეპროგრამა 3: რელიგიური პრაქტიკის ტრანსფორმაციის პროცესები საქართველოში (სივრცისა და დროის კატეგორიები ტრადიციულ კულტურაში.** თემა – *საკრალური სივრცე და საზღვრები შინასა და გარეს დაპირისპირების კონტექსტში* (ქ. ალავერდაშვილი). **ძირითადი შედეგები:** ხალხური წარმოდგენით, კულტურის კუთვნილი სივრციდან – შინადან, ბუნების, ქაოსის აუთვისებელ სივრცეში – გარეში გადასვლისას ყალიბდება სასაზღვრო, გადასვლის ზონები. არსებობს შესაბამისი ზონები დროში, მაგ., ასაკობრივ ჯგუფებს შორს (გარდამავალი ასაკი). ყოფაში სასაზღვრო ზონების გადალახვა გარკვეულ საფრთხეებთან არის ასოცირებული, ამიტომ ამ ცნებებთან მთელი რიგი რწმენა–წარმოდგენები და რიტუალებია დაკავშირებული. თემა – *რელიგიური პრაქტიკის ტრანსფორმაციის პროცესები დალის მხარეში (კოდორის ხეობა, ზემო აფხაზეთი)* (რ. გუჯეჯიანი). **ძირითადი შედეგები:** გამოვლენილია დალის მხარის მოსახლეობის რელიგიური კალენდარი. დადგენილია, რომ ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობა, ბუნებითსარგებლობის წესები ემპირიულ ეკოლოგიურ ცოდნას ემყარებოდა, ეკოლოგიურ ბალანს იცავდა, რაც არაშვიათად რელიგიური წეს–ჩვეულების სახით იყო წარმოდგენილი. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დევნილი მოსახლეობის დიდ ნაწილში ჯერ კიდევ ცოცხალია ურთიერთდახმარების ტრადიციები, ზოგიერთი რელიგიური დღესასწაულის (გიორგობის, მირქმის, ლამპრობის..) აღნიშვნის ტრადიციული რიტუალები და სხვა. თემა – *რელიგიურობის ფორმები დევნილ მოსახლეობაში* (ქ. ხუციშვილი). **ძირითადი შედეგები:** ცხინვალიდან და ახალგორიდან დევნილ მოსახლეობაში,

	როგორც მთელ საქართველოში, შეინიშნება რელიგიურობის ზრდა (განსაკუთრებით ახალგაზრდებში) ყველა პარამეტრით: ადამიანის რელიგიურ პრაქტიკაში ჩართვის ხარისხით (რიტუალური განზომილებით), ექსპერიმეტალურით, იდეოლოგიურით, გარემოებითით და ინტელექტუალურით. აღწერილი და დადგენილია რელიგიურობის გამოხატვის ფორმები: ინდივიდუალური (ლოცვა, პირადი სალოცავი სივრცე, შესაწირავები) და საზოგადოებრივი (ლოცვა, სალოცავთან შესრულებული რიტუალები, ჯგუფური შესაწირავები), წარმოსახვითი საზოგადოებების კავშირი წარმოსახვით ადგილებთან, მათი კონსტრუირების მოთხოვნილება, რელიგიურობის გამოვლინების კორელაცია იდენტობასთან. თემა – ***ტრადიციული საკულტო ობიექტები და მართლმადიდებელი ეკლესია (საკითხის ისტორია)*** (ნ. ღამბაშიძე). **ძირითადი შედეგები:** საქართველოში XII ს-დან, განხსაკუთრებით XV, XVII, XVIII საუკუნეებში იკვეთება საეკლესიო წესებისა და ნორმების დარღვევასთან დაკავშირებული პრობლემები, რომლის აღმოფხვრასაც (ქადაგებით, ჯარიმით, ფიზიკური სასჯელით..) მიზნად ისახავს საეკლესიო კრებები. ქრისტიანობის აღმდგენი კომისიის მოღვაწეობის დროს ხალხურ ქრისტიანობასა და ოფიციალურ ეკლესიას შორის ურთიერთობა მწვავდება. სასულიერო პირების ნაწილი ებრძვის ხალხურ სარწმუნოებას, ნაწილი კი შემწყნარებლობას იჩენს მისადმი. საბჭოთა პერიოდში ხელისუფლების მთავარი სამიზნე ოფიციალური რელიგია აღმოჩნდა, ხალხურ სარწმუნოებას მეტად მიეკერა წარმართობის იარლიყი და მისი შესწავლაც ამ კუთხით გახდა შესაძლებელი **ქვეპროგრამა 4: ქართული ეთნიკური კულტურა კავკასიის ხალხთა ეთნიკურ კულტურებთან მიმართებაში (ურთიერთშედარებითი ასპექტი).** თემა – ***ქართველთა და ჩრდილოკავკასიელთა ეთნიკური ურთიერთობის პრობლემები (ისტორია და თანამედროვეობა)*** (რ. თოფჩიშვილი). **ძირითადი შედეგები:** ქართველთა და ჩრდილო კავკასიელთა ეთნიკური ურთიერთობას მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია გააჩნდა. ეს ურთიერთობა ხან მშვიდობიანი იყო და ხანაც მტრული. ამავე დროს, ხდებოდა ქართულ ეთნოსში ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების სხვადასხვა ჯგუფების მიგრაცია–შემოღწევა. იშვიათი არ იყო ქართველთა ჩრდილოეთით მიგრაცია. თემა – ***ქართველების და ჩრდილოკავკასიელების მატერიალური კულტურა*** (ს. ოქრუაშვილი). **ძირითადი შედეგები:** კავკასიის მოსახლეობის მატერიალური კულტურა, მოიცავს როგორც მსგავს, ისე განსხვავებულ ელემენტებს. მგავსება ძირითადად, შეინიშნება ჩრდილო კავკასიელებისა და ქართველ მთიელთა მატერიალურ კულტურას შორის, რაც გეოგრაფიული ფაქტორით იყო განპირობებული. თემა – ***ქართველთა და ჩრდილოეკავკასიელი ხალხების სოციალური ურთიერთობები*** (ნ. ჯალაბაძე). **ძირითადი შედეგები:** ქართველ და ჩრდილოეკავკასიელ ეთნოსებს, გარკვეული გამონაკლისების გარდა, მთელი რიგი სოციალური ინსტიტუტები განსხვავებული ჰქონდათ, რის მიზეზად მოგვაჩნია ჩრდილოკავკასიელებისაგან განსხვავებით, ქართველების, ხანგრძლივი სახელმწიფოებრივი ტრადიცია და განსხვავებული რელიგია. თემა – ***ქართველებისა და ჩრდილოკავკასიელი ხალხების სულიერი კულტურა*** (ი.

	კვაშილავა). **ძირითადი შედეგები:** ქართველმა და ჩრდილოეთ კავკასიელმა ხალხმა განსხვავებული სულიერი კულტურა შექმნა, რაც განსხვავებული რელიგიური მრწამსით იყო განპირობებული სულიერი კულტურის საერთო ნიშნები მხოლოდ ქართველ მთიელებსა და ჩრდილოკავკასიელ მთიელებს შორის დადასტურდა, რაც ძირითადად მეზობლურმა ურთიერთობებმა განაპირობა.
4	პროექტის მიზანი არის ქართული ისტორიული აზროვნების ისტორიის შესწავლა გარკვეულ ქრონოლოგიურ მონაკვეთში, ანუ ფაქტობრივ, ჩვენ ვსწავლობთ ქართული ისტორიოგრაფიის მრავალსაუკუნოვანი განვითარების გზას. ამ უკანასკნელ ტერმინს კი ვიყენებთ ისტორიული ცოდნის დაგროვების და ისტორიული მეცნიერების ჩამოყალიბების ისტორიის აზრით. ბუნებრივია, ვიდრე უშუალოდ დასმული საკითხის კვლევას შევუდგებოდით, ჩვენს წინაშე დადგა ერთ უმთავრეს კითხვაზე პასუხის გაცემის აუცილებლობა: რა არის ამ მხრივ გაკეთებული ქართულ საისტორიო მეცნიერებაში? მეორე კითხვაა: როგორ უნდა წარიმართოს კვლევა, რომ დარგში არსებულ თანამედროვე მოთხოვნებს ვუპასუხოთ? პროექტის მომზადების პროცესში ჩვენ, ცხადია, ჩავატარეთ წინასწარი ძიება ამ კითხვებიდან პირველზე პასუხების გასაცემად და საკითხზე არსებული გამოკვლევების ერთგვარი სისტემატიზებაც მოვახდინეთ. ამ ძიებების შედეგად ჩვენთვის საფიქრებელი გახდა რამდენიმე გარემოება: ერთი ის, რომ ქართულ სინამდვილეში საკითხზე არსებული გამოკვლევები ხარისხობრივად სხვადასხვა დონისაა. თანამედროვე მეცნიერების მოთხოვნილებებთან მათი შესატყვისობაც სხვადასხვაგვარია; ამასთან ისტორიული ნაშრომების საერთო რაოდენობაში ისტორიოგრაფიული ნაშრომების პროცენტული წილი, სავარაუდოდ, შედარებით მცირეა. ამასთან, განმაზოგადებელი ნაშრომი ქართული ისტორიული აზრის ისტორიის შესახებ, ისეთი, რომელიც მოიცავდა მისი განვითარების ხანგრძლივ მონაკვეთს, არ არსებობს. მაგრამ ეს იყო არსებული მასალის ზედაპირული შესწავლის შედეგები, რომელიც საკმარისი იყო პროექტის აქტუალობის საჩვენებლად. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოს ჩატარებისათვის კი, ცხადია, საჭირო გახდა საკითხის კვლევის დეტალური ისტორიის წარმოდგენა. ეს მიზანშეწონილია, ჯერ ერთი, იმისათვის, რომ მოვახდინოთ კვლევის ამოცანების უფრო მკაფიო და ნიანსირებული ფორმულირება და, მეორე, რათა შევქმნათ სათანადო ფონი ჩვენს მიერ მიღებული შედეგების წარმოსაჩენად, ამისათვის, ჩვენ გვჭირდება აგრეთვე ისტორიოგრაფიის დარგში თანამედროვე დასავლური გამოცდილების გათვალისწინება. სწორედ, აღნიშნულიდან გამომდინარე **მიმდინარე წელს** დაიგეგმა ორი სახის სამუშაოს ჩატარება: **ქართული ისტორიოგრაფიის კვლევის ისტორიის ფაქტების მოძიება; შესაბამის სფეროში დასავლური სამეცნიერო გამოცდილების სისტემატიზება.** პროექტის მონაწილეთა შორის სამუშაოები გადანაწილდა ამ ორი კითხვის შესაბამისად, ამასთან, რადგან ქართულ სინამდვილეში ჰაგიოგრაფიული ჟანრის თხზულებები ხშირად განიხილება, როგორც ძეგლები, რომლებიც ემსახურება ისტორიულ რეპრეზენტაციას, სპეციალური ყურადღება დავუთმეთ ამ ჟანრის კვლევას საქართველოში და დასავლეთში; ასევე, მეთვრამეტე საუკუნის ისტორიოგრაფიის კვლევა თანამედროვე ეტაპზე ცალკე გამოვყავით. ეს საუკუნე იმით არის განსაკუთრებული, რომ მოდერნული ქართველი ერის კონსოლიდების პირველი ნიშნები სწორედ ამ დროს იკვეთება. მისი ერთ-ერთი გამოხატულება ახალი ისტორიოგრაფიული ნარატივია და ამ ნარატივის შეფასებისადმი თანამდროვე სპეციალისტთა დამოკიდებულება მოსალოდნელია, რომ მრავლისმეტყველი აღმოჩნდება საერთო სურათის წარმოსაჩენად. მიმდინარე წელს, პროექტის მონაწილეებმა შეასრულეს თემები:

1. ქართული სამეცნიერო პერიოდიკის (ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბის, მრავალთავის, ქართული წყაროთმცოდნეობის) ანალიზი ისტორიული აზრის შესწავლის თვალსაზრისით;

შესწავლილი იქნა დასახელებული პერიოდული გამოცემების ყველა ნომერი, რომელიც მოიცავს რამდენიმე ათეულ ტომს. მათ შორის გამოიყო სტატიები, რომლებიც შეიცავს ისტორიოგრაფიული რეფლექსიას. იკვეთება შემდეგი ტენდენცია: ისტორიული აზრის ისტორიისადმი მიძღვნილი ნაშრომები ამ გამოცემებში არის მცირე.

2. ისტორიოგრაფიის დარგში დასავლური სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი;

შესრულდა ისტორიოგრაფიული მიმოხილვა ინგლისურ ენაზე გამოცემული ზოგიერთი იმ ნაშრომის, რომლებიც შუა საუკუნეების ისტორიოგრაფიას და ისტორიულ აზროვნებას შეეხება. ძირითადი ნაშრომი იყო 2003 წელს გამოცემული კრებული „ისტორიოგრაფია შუა საუკუნეებში“ (470 გვ.) აგრეთვე, ცალკეული სტატიები და ნარკვევები, რომლებიც შუა საუკუნეების სომხურ, სელჩუკურ, ოსმალურ საისტორიო მწერლობას ეხება.

აღნიშნული თემა ასევე მოიცავდა ისტორიული აზრისა და ისტორიული მეცნიერების განვითარების შესწავლას გერმანიაში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. გარდა ამისა, ეს ფართო კვლევა გულისხმობდა დასავლეთის ისტორიული აზრის ისტორიაში მნიშვნელოვანი ისტორიკოსების, თეორიების და ტრადიციების შესწავლას, რომელიც სათავეს ბიბლიური ხანიდან იღებს და ჩვენს დრომდე მოდის.

ფრანგულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე დამუშავებული ლიტერატურის დიდი ნაწილი დღემდე უცნობია ქართველ მეცნიერთათვის და ამ ანოტაციების საშუალებით შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში. ამ ლიტერატურაში განსაკუთრებით უნდა გამოიყოს შემდეგი ნაშრომები: 1. „ისტორიის კეთება. ახალი პრობლემები.“ ჟაკ ლე გოფისა და პიერ ნორას რედაქციით. პარიზი. 1974; 2. „ისტორიის კეთება. ახალი მიდგომები. ჟაკ ლე გოფისა და პიერ ნორას რედაქციით.“ პარიზი. 1974; 3. „ისტორიის კეთება. ახალი საკითხები.“ ჟაკ ლე გოფისა და პიერ ნორას რედაქციით. პარიზი. 1974 (სამივე წიგნი ფრანგულ ენაზე); 4. გ. ოკუა, „ისტორიული აზრის ისტორია.“ 1991. (ფრანგულ ენაზე); 5. ტარიფ ხალიდი, „არაბული ისტორიული აზრი კლასიკურ პერიოდში“, 1996 (ინგლისურ ენაზე); 6. „თანამგზავრი დასავლეთის ისტორიული აზრის ისტორიაში“, რედაქტორები: ლოიდ კრამერი და სარა მაზა, 2006; 7. მ. ა. შენკაო, „მენტალობების შესწავლა “ანალების” ფრანგულ სკოლაში“, ჟურნ.: საზოგადოება. გარემო. განვითარება (თერრა უმანა), №1, 2009 (რუსულ ენაზე); 8. პიტერ სეზა, ტომ მორტონი, „ისტორიული აზრის ექვსი კონცეფცია“, მონრეალი. 2013 (ფრანგულ ენაზე); 9. ო. ე. ტერეხოვი, „XIX-XX სს-ის დასავლეთის ისტორიული აზრი და ისტორიული მეცნიერება“, 2006 (რუსულ ენაზე) და სხვ.

3. ქართული ისტორიული აზრის კვლევა XIX ს-ის და XX ს-ის პირველი ოცეულის ქართულ ისტორიოგრაფიაში;

სამუშაო მიზნად ისახავს გამოავლინოს XIX საუკუნის ქართველი ისტორიკოსების მოსაზრებები, დაკვირვებები თუ შენიშვნები შუა საუკუნეების ისტორიული აზრის ამა თუ იმ ასპექტის შესახებ. ამ მიზნით მოძიებული და შესწავლილი იქნა: დავით ბაგრატიონის, ბაგრატ ბაგრატიონის, იოანე ბაგრატიონის, თეიმურაზ ბაგრატიონის, პლატონ იოსელიანის, სულხან ბარათაშვილის, დიმიტრი ბაქრაძის, თედო ჟორდანიას, მოსე ჯანაშვილის, ალექსანდრე ხახანაშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, სარგის კაკაბაძისა და სერგი გიორგაძის (მხედველობაშია ბოლო ხუთი მკვლევრის მოღვაწეობის ადრეული პერიოდი - XX საუკუნის პირველი ოცეული) ნაშრომები. აღმოჩნდა, რომ მათ ნააზრევში პროექტისთვის საინტერესო თემატიკას

მოსალოდნელზე უფრო მოკრძალებული ადგილი უჭირავს. შესაბამისად, ჩატარებული მუშაობის შედეგიც მოცულობის, თვალსაზრისით, მოკრძალებულია, თუმცა შედეგად შეიძლება ჩაითვალოს, რომ XIX საუკუნისა და XX საუკუნის პირველი ოცეული წლების ისტორიოგრაფიის ინტერესი შუა საუკუნეების ქართული ისტორიული აზრის მიმართ უმნიშვნელოა (ამ სფეროშიც პირველი სერიოზული გამოკვლევა ივ. ჯავახიშვილს ეკუთვნის).

4. ქართული სამეცნიერო პერიოდიკის (ანალების) ანალიზი ისტორიული აზრის შესწავლის თვალსაზრისით;

მოძიებული და შესწავლილი იქნა დასახელებული პერიოდული გამოცემის ყველა ნომერი. ,,ანალებში''ისტორიოგრაფიული კვლევები ეხება ან რომელიმე თანამედროვე ისტორიკოსის შემოქმედების ზედაპირულ განხილვას, ან ,,ქართლის ცხოვრების'' ანალიზს, რომელშიც ძირითადად, ჰერმენევტიკულ ან ატრიბუციულ საკითხებზეა ყურადღება გამახვილებული. ეს სტატიები არ ეხება ძეგლის კონცეპტუალურ განხილვას, ისეთი პრობლემების გაანალიზებას, როგორიცაა ავტორის თვითცნობიერება, ისტორიის წერის ტრადიცია, თხზულებების სტრუქტურული და ჟანრობრივი კუთვნილება, მისი სოციალური შეკვეთა. ანუ თანამედროვე ქართველი ისტორიკოსები არ იხილავენ მედიევალურ ქართულ ისტორიოგრაფიას, როგორც ისტორიული აზროვნების ტიპს, არამედ ,,ქართლისცხოვრების'' მხოლოდ ჰერმენევტიკული ანალიზით იფარგლებიან.

5. ქართული სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული პერიოდიკის (ამირანის, მნათობის) ანალიზი ისტორიული აზრის შესწავლის თვალსაზრისით;

შესწავლილი იქნა დასახელებული პერიოდული გამოცემების ყველა ნომერი, რომელიც მოიცავს რამდენიმე ათეულ ტომს.

ისტორიაზე ადრეული საუკუნეებიდანვე სხვადასხვა წარმოდგენები ჩამოყალიბდა, რამაც ხელი შეუწყო ისტორიული მიმდინარეობების ჩამოყალიბებას. ნაშრომში მიმოხილულია ლიტერატურა, კერძოდ სტატიები ჟურნალ „მნათობსა“ და „ამირანში“, რომლებმაც ხელი შეუწყო ამ საკითხზე მუშაობას.

6. ქართული სამეცნიერო პერიოდიკის (საქართველოს მეცნიერებათა აკდემიის მაცნე) ანალიზი ისტორიული აზრის შესწავლის თვალსაზრისით.

შესწავლილი იქნა დასახელებული პერიოდული გამოცემის ყველა ნომერი, რომელიც მოიცავს რამდენიმე ათეულ ტომს და დადგინდა, რომ გვაქვს კონკრეტული ავტორების შემოქმედებისადმი მიძღვნილი ისტორიოგრაფიული კვლევები. კონკრეტული ისტორიული პრობლემისადმი მიძღვნილი ისტორიოგრაფიული გამოკვლევები. ქრონოლოგიური მონაკვეთის მიხედვით სისტემატიზებული ტექსტებისადმი მიძღვნილი ისტორიოგრაფიული კვლევები. ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიტიკული გააზრების ცდები. შუა საუკუნეების წყაროების, "მოქცევაი ქართლისაის" და "ქართლის ცხოვრების" შესწავლისადმი მიძღვნილი ისტორიოგრაფიული და წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევები.

მართალია, ამ წლის განმავლობაში არ მომხდარა აბსოლუტურად ყველა შესაძლო წყაროს (ამ შემთხვევაში წყაროდ განიხილება სპეციალური ლიტერატურა) დამუშავება, მაგრამ შესწავლილი მასალა იმ ოდენობისაა, რომ ერთობლიობაში ქმნის რეპრეზენტატულ ბაზას ჩვენი დასკვნებისათვის.

მიღებული დასკვნები კი ორი სახისაა:

1. უფრო ზოგადი ხასიათის, რომლებიც უშუალო პასუხს წარმოადგენს ჩვენ მიერ კვლევის დასაწყისში დასმულ კითხვებზე;

2. უფრო ვიწრო ხასიათის, რომელთაც გარდა იმისა, რომ ამ ძირითადი

	კითხვების გასააზრებლად დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ, აქვთ დამოუკიდებელი სამეცნიერო ინტერესიც შესაბამისი ეპოქის საზოგადოებრივ პერცეფციებზე დასაკვირვებლად. **უმთავრესი ზოგადი დასკვნები შემდეგია:** ა) ქართულ სინამდვილეში XIX საუკუნიდან მოკიდებული დღემდე ქართული საისტორიო მეცნიერებაში ისტორიული აზრის ისტორიის, დარგის კონცეპტუალიზაციისადმი მიძღვნილი გამოკვლევების წილი საგრძნობლად მცირეა საკუთრი ისტორიულ ან, თუნდაც, წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევებთან შედარებით. ქართული საისტორიო აზრი აშკარად ნაკლებად აფიქსირებს ისტორიოგრაფიულ პრობლემატიკას. ბ) ქართული ისტორიული აზრის კვლევის ისტორია მნიშვნელოვან სხვაობას აჩვენებს შესაბამის დარგში არსებულ დასავლურ გამოცდილებასთან. ქართული შემთხვევა შედარებით მწირია ფაქტებით და იდენტიფიცირებული პრობლემათა სპექტრიც შედარებით ვიწროა. **აღნიშნულ დასკვნებს საფუძველს უქმნის მონაწილეთა მიერ შესწავლილი მრავალრიცხოვანი ქართულენოვანი სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული პერიოდიკის, მონოგრაფიული გამოკვლევების და სხვა მასალის, აგრეთვე, უცხოენოვანი მასალის ანალიზი. ეს დასკვნები გვეხმარება პროექტის მუშაობის მომდევნო წლების პრობლემატიკა გამოკვეთოთ მეტი სიზუსტით.** ქართულ ისტორიულ წყაროთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჰაგიოგრაფიას. ეს ძეგლები ფართოდ გამოიყენება ისტორიული რეპრეზენტაციის დროს. ივანე ჯავახიშვილმა ეს ჟანრი მიიჩნია ისტორიული მწერლობის ჟანრად და ისტორიული აზრის განვითარების აღსაწერად გამოიყენა. აღნიშნული თვალსაზრისი ბევრი მკვლევრის მხარდაჭერას პოულობს დღეს. ამიტომ ჰაგიოგრაფიის თავისებურებების კვლევაც იყო ჩვენი მრავალასპექტიანი კვლევის ერთ-ერთი ფოკუსი. პროექტის განხორციელებაში მონაწილეობს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს სამი დოქტორანტი, რომელთაც დაამუშავეს თემები: 1. ჰაგიოგრაფიული ჟანრის თხზულებების შესწავლა საქართველოში და საზღვარგარეთ; 2. ისტორიოგრაფიული პროფილის კვლევები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში; 3. XVIII საუკუნის ქართული საისტორიო მწერლობა და მისი კონცეპტუალური გააზრებანი (ახალი ქართლის ცხოვრება და აღწერა სამეფოსა საქართველოსა მაგალითზე). ყველა ეს შედეგი, ერთი მხრივ, პროექტით გათვალისწინებული კვლევის მოსამზადებელი სამუშაოა, მეორე მხრივ, ესაა საქართველოს ისტორიისათვის მეტად საინტერესო ფაქტების დადგენის ცდები.

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ოკუპირებული ახალგორის რაიონი და ქართულ-ოსური ურთიერთობების დინამიკა	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ნათია ჯალაბაძე	ლავრენტი ჯანიაშვილი მედეა ბურდული

	დარგი: *ეთნოლოგია* **მიმართულება:** *საქართველოს ეთნოლოგია, ფსიქოლოგია*			

დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

პროექტი შეისწავლის ქართულ-ოსური ურთიერთობის დინამიკას ოკუპირებულ ახალგორის რაიონთან მიმართებაში. ის წარმოადგენს ეთნოლოგიურ და ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა მიჯნაზე 2 წლის განმავლობაში განხორციელებულ კვლევას. გამოკვლევა ძირითადად ეყრდნობა ეთნოგრაფიულ მასალებს რომელიც მოპოვებულ იქნა როგორც ახალგორიდან დევნილი მოსახლეობის, ასევე დღესდღეობით ახალგორში მცხოვრები კონტინგენტისგან. ასევე, დამუშავდა სამეცნიერო ლიტერატურა, საარქივო, მედია და ინტერნეტ-მონაცემები ქართულ–ოსური იტორიული ურთიერთობების, ეთნოდემოგრა-ფიული და ეთნო–მიგრაციული პროცესების შესახებ.

საველე მუშაობისათვის მომზადდა საერთო კითხვარი და ფსიქოლოგიური ხასიათის ანკეტა-კითხვარი. საველე მასალის მოძიება მოხდა უშუალო დაკვირვების ღია, ჩაღრმავებული ინტერვიუს და პირისპირ გამოკითხვის მეთოდებით. სულ ოთხივე საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 7 მივლინება, აქედან 3 ახალგორიდან დევნილთა კომპაქტური დასახლების ადგილებში (წეროვანი, წილკანი, ფრეზეთი) და 4 ახალგორის რაიონში. საველე მუშაობა მიზნად ისახავდა გამოგვერკვია, ოკუპაციის შემდგომი ცვლილებები რაიონის ეთნიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ინფრასტრუქტურაში, ქართული და ოსური მოსახლეობის ტრადიციული ურთიერთობის ტრანსფორმაციის თავისებურებანი, საზოგადოების რეალური მდგომარეობა ომის შემდგომ პერიოდში, თუ როგორია ინტერკულტურული კომუნიკაცია დღეს, როგორი დამოკიდებულებაა, ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ოსების, რუსების და რუსეთის მიმართ დევნილთა ჯგუფებში, როგორია მათი მოლოდინი და მომავლის პერსპექტივები, მათი ფსიქოლოგიური განწყობები, სოციალური დისტანცია და სოციალური ქცევის თავისებურებები.

პროექტის მონაწილეების მიერ დიქტოფონზე ჩაწერილ იქნა სულ 345 ინტერვიუ, აქედან დევნილთა დასახლებებში 240, ხოლო ახალგორის მოსახლეობისაგან 105. ინტერვიუები გაიშიფრა და გააანალიზდა.

ძირითადი მონაწილეების მიერ პროექტის ფარგლებში გამოქვეყნდა 3 სტატია (მ. ბურდული, ლ. ჯანიაშვილი), საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო ორმა თანამშრომელმა (ნ. ჯალაბაძე,ლ. ჯანიაშვილი), მ. ბურდულმა მონაწილეობა მიიღო 3 ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციაში და ერთ სემინარში, ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციის სრულ მოხსენებათა კრებულებში გამოქვეყნდა მ.ბურდულის 2 შრომა, გამოსაქვეყნებლად გადაცემულია 4 სტატია (ნ.ჯალაბაძე,ლ.ჯანიაშვილი, მ.ბურდული), მოეწყო მგვალი-მაგიდა დისკუსია – პროექტის მიმდინარეობის შედეგების გაცნობა ისტორიკოს-ეთნოლოგთა და საზოგადოების წარმომადგენელთათვის, გამოსაცემად მომზადდა მონოგრაფია – “ოკუპირებული ახალგორის რაიონი და ქართულ-ოსური ურთიერთობის დინამიკა”.

კვლევის შედეგად შესაძლებელი გახდა რაიონში ახალგორის ოკუპაციის შემდეგ არსებული რეალური ვითარების წარმოჩენა. გამოვლინდა ქართველთა და ოსთა ურთიერთდამოკიდებულების სპეციფიკა და ის ცვლილებები, რაც ამ ხალხთა ტრადიციულმა ურთიერთობებმა განიცადა აღნიშნულ პერიოდში და, რაც, შესაბამისად,

პირობითი საზღვრის ორივე მხარეს ინტერკულტურული კომუნიკაციის პერსპექტივას განაპირობებს. გამოიკვეთა ინტერეთნიკური სტაბილური და დაბალანსებული ურთიერთობების მარეგულირებელი ასპექტები, ინტერკულტურული კავშირების როლი ამ ჯგუფებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნების საქმეში.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით. რათა შემუშავდეს ქართველი მოსახლეობის ოკუპირებულ ტერიტორიაზე დამაგრების და ოსურ-ქართული პოზიტიური ურთიერთობის განვითარების მართებული სტრატეგია, სწორად განისაზღვროს ქართულ-ოსური ეთნიკური სეგმენტების დაახლოების მექანიზმები და შეიქმნას თეორიული ბაზა ჯგუფთაშორისი ლოიალობის პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად. პროექტის შედეგების გათვალისწინება საშუალებას მისცემს როგორც თეორეტიკოსებს, ისე პრაქტიკოსებს მათზე დაყრდნობით შემუშავდეს ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამომავლო სტრატეგია.

პროექტის შედეგად შეკრებილ იქნა მნიშვნელოვანი ეთნოგრაფიული მასალა, რომლის საფუძველზედაც დაიწერა მონოგრაფია.

პროექტი წარმოადგენს კროსკულტურულ კვლევას, რომელიც ეფუძნება ეთნოლოგიური და ფსიქოლოგიური მეცნიერების ძირითად პრინციპებსა და მეთოდოლოგიას. ამდენად ის ორივე სამეცნიერო მიმართულებისათვის მნიშვნელოვანია. ეს არის მეცნიერული თვალსაზრისით, ოკუპირებულ რაიონში არსებული ვითარების კომპლექსურად შესწავლის პირველი მცდელობა, რაც კონფლიქტური სიტუაციის ანალიზის, პრევენციისა და პროგნოზირების მიმართულებით მონაცემთა ბაზის შექმნის შესაძლებლობას მოგვცემს. ახალგორში არსებული ვითარების მეცნიერული შესწავლა წვლილს შეიტანს არა მარტო ეთნოსთაშორისი ურთიერთობის მორეგულირების საქმეში, არამედ მნიშვნელოვანი იქნება აგრეთვე ეთნოკონფლიქტის თეორიის განვითრებისთვის.

I. 4.

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში (სამეცნიერო ლიტერატურისა და დოკუმენტების მიხედვით) **დარგი**: *ისტორია* **მიმართულება:** *ახალი და უახლესი ისტორია, ისტორიოგრაფია*	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	დოდო ჭუმბურიძე	ვაჟა კიკნაძე ლოლა სარალიძე ხათუნა ქოქრაშვილი
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

პროექტის ფარგლებში ფარგლებში მეცნიერ-შემსრულებელთა ჯგუფმა შეასრულა III პერიოდის გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები:

დოდო ჭუმბურიძემ მესამე ეტაპზე წარმოადგინა ნაშრომი – „რუსეთის ეკონომიკური და დემოგრაფიული პოლიტიკა საქართველოში“. ნაშრომი შედგება ორი თავისა და რამდენიმე პარაგრაფისაგან, ასევე, XIX საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული ვითარების ამსახველი ისტორიოგრაფიული ლიტერატურის მიმოხილვისა და წყაროებისაგან.

იგი წაკითხული იქნა თსუ ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენციაზე და დასაბეჭდად გადაეცა სამეცნიერო კრებულის – „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“ – რედაქციას მომდევნო (მე-15) ნომერში გამოსაქვეყნებლად. „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხების“ მე-14 ნომერში დაიბეჭდა სტატია – „რუსეთის ლიბერალ-დემოკრატი არისტოკრატია საქართველოსა და კავკასიის შესახებ“. საგრანტო პროექტით გათვალისწინებულ პრობლემაზე მუშაობისას მიღებული კვლევის შედეგების პრეზენტაცია მოხდა საინსტიტუტო სემინარზე.

ვაჟა კიკნაძემ მესამე ეტაპზე წარმოადგინა ნაშრომი – „საქართველოს ეკლესია XIX საუკუნის II ნახევარში“. ნაშრომში არსებული ლიტერატურის და საარქივო მონაცემების საფუძველზე, აისახა საქართველოს ეკლესიის ისტორია XIX ს. II ნახევარში. მანვე გამოაქვეყნა სტატიები გორის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო კრებულსა და „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხებში“, №1 (14).

ხათუნა ქოქრაშვილმა III ეტაპზე წარმოადგინა ნაშრომი – „რუსული მმართველობა საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარში“, რომელშიც შესწავლილია და წარმოდგენილი შესაბამისი თემის ამსახველი სამეცნიერო ლიტერატურა და დოკუმენტები. ნარკვევში საუბარია 30-იანი წლების სახელმწიფო მმათველობის რეორგანიზაციაზე. სამეცნიერო კრებულში – „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, №1 (14) დაიბეჭდა ქოქრაშვილის „რამდენიმე დოკუმენტი ეროვნული მოძრაობის ისტორიისათვის (1802 წლის პოლიტიკური გამოსვლა კახეთში)“. ამავე კრებულის მეორე (მე-15) ნომერში იბეჭდება ხ. ქოქრაშვილის მიერ საგრანტო პროექტის III ეტაპისათვის მოპოვებული წყაროები.

ლოლა სარალიძემ III ეტაპზე წარმოადგინა სამეცნიერო ნაშრომი – „საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმის პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა; 20-30-იანი წლების რეპრესიები საქართველოში“. მკვლევარის წარმოდგენილ მასალაში შესულია პრობლემაზე შექმნილი სამეცნიერო სტატია, ისტორიოგრაფია და დოკუმენტური მასალები.

ოთხივე ავტორის მიერ შეკრებილი, დამუშავებული და ახალი კონცეფციითაა წარმოდგენილი სამეცნიერო ლიტერატურა და წყაროები. საგრანტო პროექტში მონაწილე მკვლევართა მიერ III პერიოდში დასახული ამოცანები შესრულდა და საფუძველი ჩაეყარა მომდევნო პერიოდებში ჩასატარებელ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოს.

	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2	შეუსწავლელი საარქივო მასალები და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული კულტურა (ეთნოლოგიური	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ნინო ღამბაშიძე	ქეთევან ალავერდაშვილი ნანა ზაზანაშვილი

	ძიებანი) **დარგი**: *ეთნოლოგია* **მიმართულება:** *საქართველოს ეთნოლოგია*			
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				
საგრანტო პროექტით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით, მიმდინარე წელს, მისი შესწავლის პირველ ეტაპზე: 1. მოვიძიეთ საჭირო სამეცნიერო ლიტერატურა და შევადგინეთ ბიბლიოგრაფია; 2. მოვიძიეთ დასამუშავებელი გრაფიკული მასალა (ხევი, 40 ერთეული). მოხდა ამ მასალის კლასიფიკაცია, სისტემატიზაცია და აღწერა წინასწარ შემუშავებული პარამეტრების მიხედვით. შეიქმნა მოძიებული და აღწერილი მასალის მონაცემთა ბანკი. 3. ანაზომები (ხევი, 40 ერთეული) ფოტოგრაფირების გზით, გადატანილი იქნა ციფრულ მატარებლებზე.				

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ვახტანგ გოილაძე	ანდრია პირველწოდებულის მისიონერული მოღვაწეობა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში	თბილისი, საქართველოს საპატრიარქოს გამ.	140
2	როლანდ თოფჩიშვილი	აფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ერთობების ეთნოგენეზის შესახებ	თბილისი, უნივერსალი	100
3	როლანდ თოფჩიშვილი	სვანეთი და სვანეთის მკვიდრნი: გვარები და ეთნოისტორიული ნარკვევი	თბილისი, უნივერსალი	268
4	ნათია ჯალაბაძე, ლავრენტი ჯანიაშვილი, მედეა ბურდული, ეკატერინე ფირცხალავა, ლალი მღებრიშვილი	ოკუპირებული ახალგორის რაიონი და ქართულ-ოსური ურთიერთობის დინამიკა	თბილისი, ჯეოპრინტი	232
ანოტაციები ქართულ ენაზე				
1	გაირკვა: "ქრსიტეს ერთ-ერთი მოციქულის ანდრია პირველწოდებულის "მიმოსვლასა" და "ცხოვრებაში" არსებული ის ცნობები, რომლებშიც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ანდრია მოციქულის მისიონერული მოღვაწეობაა აღწერილი, ისტორიული რეალობის ამსახველნი არიან. დადგინდა			

	“მიმოსვლაში” დასახელებული “ქვეყანა სვილდიაის” (იგივე ზემო სუგდების) ადგილმდებარეობა. გაირკვა ვინ იგულისხმებიან ამავე თხზულებებში დასახელებული “გორსინების”, “სუსების”, “ფუსტელების” სახელის ქვეშ. გახსნილია ძველ ქართულ წყაროებში აფხაზეთის ერთი ნაწილი რატომ იწოდება “ქუეყანა ოვსეთისად”, “სოსანგეთს” სოფ. აწყურთან საერთო რომ არაფერი არა აქვს.
2	მონოგრაფია ეძღვნება აფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ერთობების ეთნოგენეზის პრობლემას. საისტორიო წყაროებისა და ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე მიღებულია დასკვნა, რომ პროტოაფხაზურ-ადიღეური ტომები – მეოტები – ცხოვრობდნენ ჩრდილოთით: აზოვისპირეთში, შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთსა და დონის ქვემო დინებაზე. პროტოაფხაზურ-ადიღეური ტომების სამხრეთით წამოწევა ხდებოდა აღმოსავლეთიდან მომთაბარე ირანული ტომების მიგრაციის გამო. აფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ერთობების ეთნოგენეზში მონაწილეობა მიიღეს მეოტებმა, ირანულმა ტომებმა და ქართველურმა ერთობებმა.
3	წიგნი ორენოვანია (ქართული და ინგლისური ენები). განკუთვნილია, როგორც სპეციალისტებისათვის, ისე მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის. ძირითადი აქცენტი გადატანილია სვანეთში მცხოვრები ქართული გვარების ისტორიაზე. საუბარია სვანეთის ეთნოგრაფიის სხვადასხვა პრობლემებზე. განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული სვანეთის ადგილზს ერთიან ქართულ ეთნიკურ სამყაროში, სვანეთის ურტიერთობას საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებთან და ჩრდილოეთ კავკასიასთან, სოციალურ ურტიერთობებს და სხვ.
4	მონოგრაფია აღწერს ახალგორის რაიონში ოკუპაციის შემდეგ არსებულ რეალურ ვითარებას. შესწავლილია ქართველთა და ოსთა ურთიერთდამოკიდებულების სპეციფიკა და ის ცვლილებები, რაც ამ ხალხთა ტრადიციულმა ურთიერთობებმა განიცადა აღნიშნულ პერიოდში და, რაც,შესაბამისად, პირობითი საზღვრის ორივე მხარეს ინტერკულტურული კომუნიკაციის პერსპექტივას განაპირობებს. გამოკვეთილია ინტერეთნიკური სტაბილური და დაბალანსებული ურთიერთობების მარეგულირებელი ასპექტები, ინტერკულტურული კავშირების როლი ამ ჯგუფებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნების საქმეში.

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	როლანდ თოფჩიშვილი	ხალხთა მიგრაციები	თბილისი, უნივერსალი	300
ანოტაციები ქართულ ენაზე				
1	სახელმძღვანელო განკუთვნილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგიისა და სხვა მიმართულებების სტუდენტებისათვის. წიგნი სამი ძირითადი მონაკვეთისაგან შედგება. გადმოცემულია როგორც მსოფლიოს ძირითადი ხალხების დიდი გადასახლებანი, საქართველოს მოსახლეობის შიდა და გარე მიგრაციული პროცესები. ხაზი ესმის, რომ მსოფლიოს მთელი რიგი ეთნოსების წარმოქმნა ძირითადად ხალხთა გადასახლებიებით იყო განპირობებული.			

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის	გამოცემის ადგილი,	გვერდების

		სახელწოდება	გამომცემლობა	რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				
1				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ირინე ტატიშვილი, ლევან გორდეზიანი	ანითას ტექსტი (ხეთურიდან თარგმანი და კომენტარები), *კრებ. აღმოსავლეთმცოდნეობა*	4	თბილისი, თსუ-ს გამომც.	13
2	ირინე ტატიშვილი	ხეთური სამეფო იდეოლოგიის ზოგიერთი ასპექტი, *კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული*	16	თბილისი, პროგრამა „ლოგოსი“	42
3	ნანა ბახსოლიანი, ნანა ხაზარაძე	რიცხვითი სახელების აღმნიშვნელი ლუვიური იეროგლიფები (რუსულ ენაზე), *ჟურნ. განათლება*	2 (13)	თბილისი, სტუ-ს გამომც.	4
4	ნანა ბახსოლიანი, ნანა ხაზარაძე	ქალის აღმნიშვნელი ლუვიური იეროგლიფები (ინგლისურ ენაზე), *საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე*	2	თბილისი, მეცნ. ეროვნ. აკადემიის გამ.	5
5	ნანა ბახსოლიანი	გვიანხეთური ხანის კილიკიის ისტორიისათვის, *საისტორიო ვერტიკალები*	31	თბილისი, სტუ-ს გამომც.	5
6	ნანა ბახსოლიანი	ოსმალური დოკუმენტური წყაროები აფხაზეთის შესახებ (XVIII საუკუნე), *ძირითადი რელიგიური კონფესიები და კავკასიის რეგიონალური უსაფრთხოების პრობლემური საკითხები*	კონფ. მასალები	თბილისი, თსუ-ს გამომც.	8
7	მარიამ ჩხარტიშვილი	დაიაენ/დიაოხი: ეთნიკური სტიგმა?,	–	თბილისი, ჯეოპრინტი	33

		კრებ. ელდარ მამისთვალიშვილი - 75			
8	ვაჟა კიკნაძე	აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მამია დუმბაძე – 100	ბროშურა	თბილისი, მეცნ. ეროვნ. აკადემიის გამ.	47
9	ვახტანგ გოილაძე	ქართველთა განმანათლებლები	ბროშურა	თბილისი, უნივერსალი	54
10	ვახტანგ გოილაძე	ვინ არიან ანდრია პირველწოდებულის „ცხოვრებასა" და „მიმოვლაში" დასახელებული სუსები-სად მდებარეობდა „სოსანგელთა სოფელი", *ჟურ. ქართველოლოგია*	1	თბილისი, ილიას სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა	9
11	გონელი არახამია	ორი გვირგვინოსანი წყვილი და ზოგიერთი სიგელის დათარიღება, *საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე*	2	თბილისი, მეცნ. ეროვნ. აკადემიის გამ.	4
12	გიორგი ჭეიშვილი	ვალაშკერტის საეპისკოპოსო, *ჰუმანიტარული კვლევები*	4	თბილისი, თსუ-ს გამომც.	30
13	ქეთევან ქუთათელაძე	აგარაკის ეპარქია, *საქ. მართლ. ეკლესიის ენციკლოპედია*	1	თბილისი, საპატრ. გამომ.	2
14	ქეთევან ქუთათელაძე	ახტალის მონასტერი, *საქ. მართლ. ეკლესიის ენციკლოპედია*	1	თბილისი, საპატრ. გამომ.	9
15	ქეთევან ქუთათელაძე	ბოლნისის ეპარქია, *საქ. მართლ. ეკლესიის ენციკლოპედია*	1	თბილისი, საპატრ. გამომ.	8
16	რუსუდან ლაბაძე	ფრანგული ისტორიული დისკურსი და ემანუელ ლე რუა ლადიურის ბესტსელერი, *საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე*	1	თბილისი, მეცნ. ეროვნ. აკადემიის გამ.	21
17	პაპუნა გაბისონია	საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის რამდენიმე საკითხის შესწავლა საქართველოს საზოგადო რუკის (1931-32 წწ.) მეშვეობით,	კონფ. მასალები	თბილისი, თსუ-ს გამომც.	5

		გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები			
18	პაპუნა გაბისონია	დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ბერძნულ-რომაული სახელწოდებათა გარკვევის საკითხისთვის (I-II სს.), *კრებ. ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი*	XVII	თბილისი, მწიგნობარი	13
19	ავთანდილ სონღულაშვილი	ეროვნულ უმცირესობათა რელიგიური სექტები საქართველოში XX საუკუნის 50-იან წლებში, *კრებ. ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი*	XVII	თბილისი, მწიგნობარი	18
20	ავთანდილ სონღულაშვილი	ქართული ენის ბედი თუ უბედობა, *ჟურ. პარალელი*	7	თბილისი, სტუ-ს გამომცემლობა	21
21	ავთანდილ სონღულაშვილი	ჰონკონგის ისტორიიდან, *კრ. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*	1 (16)	თბილისი, უნივერსალი	9
22	ავთანდილ სონღულაშვილი	ჯაყოს სიზმრები, *კრებ. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*	1 (16)	თბილისი, უნივერსალი	8
23	დოდო ჭუმბურიძე	საქართველოს დემოკრატიული რესუბლიკის პირველი ოფიციალური დელეგაცია გერმანიაში (აკაკი ჩხენკელის წერილების მიხედვით, *გორის სასწავლო უნივერსიტეტის შრომები*	–	გორი	12
24	დოდო ჭუმბურიძე	ევროპაში საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლის – რაფიელ ივანიცკი-ინგილოს მოღვაწეობიდან, *ბათუმის უნივერსიტეტის შრომები*	11	ბათუმი, ბათუმის უნივერს. გამო.	11
25	დოდო ჭუმბურიძე	საქართველოს პოლიტიკური	კონფ. მასალები	ქუთაისი, აკ. წერეთლის	12

		ორიენტაციისა და საზღვრების საკითხი პირველი მსოფლიო ომის ბოლოს, *კრებ. პირველი მსოფლიო ომი და საქართველო*		უნივ. გამომც.	
26	დოდო ჭუმბურიძე	ზოგიერთი დეტალი საზღვარგარეთ 1924 წლის აჯანყების გამოძახილისა და ქართული ემიგრაციის თვალსაზრისის შესახებ, *კრებ. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*	1 (16)	თბილისი, უნივერსალი	17
27	დოდო ჭუმბურიძე, ხათუნა ქოქრაშვილი	პირველ მსოფლიო ომთან დაკავშირებული ორი დოკუმენტი, *კრებ. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*	1 (16)	თბილისი, უნივერსალი	18
28	შოთა ვადაჭკორია	საქართველოს პირველი რესპუბლიკა და ოსმალეთის ექსპანსიური პოლიტიკა (1919 წლის იანვარი-1921 წლის მარტი)	ბროშურა	თბილისი, გეორგიკა	108
29	შოთა ვადაჭკორია	ჭეშმარიტების დადგენის მცდელობისათვის	ბროშურა	თბილისი, გეორგიკა	68
30	შოთა ვადაჭკორია	რუსეთ-ოსმალეთის ალიანსი დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ (1920-1921 წწ.), *კრებ. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*	1 (16)	თბილისი, უნივერსალი	17
31	ელდარ ბუბულაშვილი	კონსტანტინე გვარამაძე - სიძველეთა დამცველი (ერთი უცნობი დოკუმენტი), *სამი საუნჯე*	2	თბილისი, მერიდიანი	19
32	ელდარ ბუბულაშვილი	საეკლესიო მუზეუმში მოსე ჯანაშვილის მოღვაწეობის ისტორიიდან, *გელათის მეცნიერებათა აკადემიის შრომები*	3-4	თბილისი, საპარტიარქოს გამომც.	10
33	ელდარ ბუბულაშვილი	რაფიელ ივანიცკი-ინგილო - საქართველოს	2	თბილისი, სამშობლო	23

		მართლმადიდებელი ეკლესიის უფლებათა დამცველი (ემიგრანტული მასალების მიხედვით, XX ს-ის 20-იანი წლები), *ჟურ. რელიგია*			
34	ელდარ ბუბულაშვილი	ერთი უცნობი დოკუმენტი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდე ოქროპირიძის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან, *ჟურ. რელიგია*	3	თბილისი, სამშობლო	8
35	ლდარ ბუბულაშვილი	დოკუმენტები მეტყველებენ, *კრ. ანალები*	11	თბილისი, ინტელექტი	24
36	ნიკოლოზ ჯავახიშვილი	ბაგრატიონთა შიდადინასტიური ბრძოლისა და საქართველოში საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ისტორიიდან (XVIII საუკუნე), *კრებ. სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები*	III	თბილისი, მერიდიანი	52
37	ნიკოლოზ ჯავახიშვილი	ქართულ-ებრაული მეგობრობის ისტორიის ბრწყინვალე ფურცელი, *კრებ. ელდარ მამისთვალიშვილი - 75*	–	თბილისი, ჯეოპრინტი	19
38	ნიკოლოზ ჯავახიშვილი	ირანის ბოლო სამეფო დინასტია და ქართველები, *კრებ. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები*	IX	თბილისი, მერიდიანი	37
39	ნიკოლოზ ჯავახიშვილი	ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის ასახვა საზოგადოებრივ აზროვნებაში (ზოგიერთი ასპექტი), *კრებ. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*	1 (16)	თბილისი, უნივერსალი	13
40	გიორგი საითიძე	ზაქარია ჭიჭინაძე – ქართველ ებრაელთა	1 (16)	თბილისი, უნივერსალი	13

		ისტორიის პირველი მკვლევარი, *კრებ. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*			
41	გიორგი საითიძე	ქართველი სოც-დემოკრატები (მენშევიკები) და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკითხი, *კრებ. ჩვენი სულიერების ბალავარი*	VII კონფ. მასალები	თბილისი, უნივერსალი	10
42	გიორგი საითიძე	რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები ბათუმის ოლქიდან (1906-1917), *კრებ. ბათუმი და ბათუმელები*	კონფ. მასალები	ბათუმი, ბათუმის უნივერს. გამო.	7
43	გია გელაშვილი	ინგლისელი მოგზაურის არტურ კანინგეიმის ცნობები თბილისის შესახებ, *კრ. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*	1 (16)	თბილისი, უნივერსალი	11
44	გია გელაშვილი	ერთი დოკუმენტი ბრიტანეთის ნაციონალური არქივიდან, *კრებ. ელდარ მამისთვალიშვილი - 75*	–	თბილისი, ჯეოპრინტი	5
45	გია გელაშვილი	ერთი ინგლისური დოკუმენტი პატრიარქ ამბროსის სასამართლოს შესახებ, *კრებ. ჩვენი სულიერების ბალავარი*	VII კონფ. მასალები	თბილისი, უნივერსალი	8
46	გია გელაშვილი	გერმანელები საქართველოში, *კრებ. ანთროპოლოგიური კვლევანი* (ინგლისურ ენაზე)	II	თბილისი, უნივერსალი	7
47	ლოლა სარალიძე	რაიმონ პუანკარე და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია, *გორის სასწავლო უნივერსიტეტის შრომები*	–	გორი	7
48	ლოლა სარალიძე	ქართველი სამღვდელოების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან	VII კონფ. მასალები	თბილისი, უნივერსალი	9

		(1921-1922 წ.წ.), *კრებ. ჩვენი სულიერების ბალავარი*			
49	ლოლა სარალიძე	საქართველოს ჰელსინკის კავშირის მოღვაწეობის ისტორიიდან, *კრებ. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*	1 (16)	თბილისი, უნივერსალი	23
50	ლოლა სარალიძე	კონსტანტინოპოლის მისია და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საკითხი (1921-1922 წწ.), *ბათუმის უნივერსიტეტის შრომები*	11	ბათუმი, ბათუმის უნივერს. გამო.	9
51	ლელა მიქიაშვილი	ერეკლეს ანდერძის ავთენტურობის საკითხისათვის, *კრებ. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*	1 (16)	თბილისი, უნივერსალი	14
52	ირინა არაბიძე	საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი როდოსის სრულიად მართლმადიდებელთა თათბირზე (1961-1964 წწ.), *კრებ. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*	1 (16)	თბილისი, უნივერსალი	11
53	მზია ტყავაშვილი	ქართველ საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე როინიშვილის დაღესტანში მოღვაწეობის ისტორიიდან, *კრებ. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*	1 (16)	თბილისი, უნივერსალი	8
54	შორენა მურუსიძე	რადიოინტერვიუ გიორგი კვინიტაძესთან (წყაროს პუბლიკაცია), *კრებ. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*	1 (16)	თბილისი, უნივერსალი	11
55	ნატო სონღულაშვილი	ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში XX საუკუნის 40-50-იან წლებში, *კრებ. ისტორიულ-*	XVII	თბილისი, მწიგნობარი	20

		ეთნოლოგიური ძიებანი			
56	ქეთევან ხუციშვილი	რელიგიური სივრცის ტრანსფორმაცია იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობაში (ქვემო ქართლი), *კრ. ტადიციული რელიგიური სისტემა და თანამედროვეობა*	–	თბილისი, უნივერსალი	15
57	ნინო მინდაძე	ზაქარია ჭიჭინაძე და ტრდიციული ქართული სამედიცნო კულტურა, *კრ. ზაქარია ჭიჭინაძე – 160*	კონფ. მასალები	თბილისი	11
58	ნინო მინდაძე	ადამიანის ეკოლოგიის ხალხური ტრადიციების კვლევა საქართველოში, *საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე*	2	თბილისი, მეცნ. ეროვნ. აკადემიის გამ.	6
59	ნინო ღამბაშიძე	„მზე შინა და მზე გარეთა“ (ეთნოლოგიური ძიებანი), *კრებ. ანალები*	11	თბილისი, ინტელექტი	27
60	ნინო ღამბაშიძე	კიდევ ერთხელ ალილოსა და ჭონას ურთიერთკავშირის შესახებ, *კრებ. ანალები*	11	თბილისი, ინტელექტი	18
61	ნინო ჩირგაძე, ლელა ნებიერიძე	მაგიურ-რელიგიური მკურნალობის ტრადიციები და მათი მოდიფიცირებული ფორმები იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობაში, *კრებ. მითი, კულტი, რიტუალი*	კონფ. მასალები	თბილისი	9
62	ხათუნა იოსელიანი	სვანეთის “მთიულეთის” საეკლესიო საგანძური, ეკლესიები და ციხესიმაგრეები, *კრებ. ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი*	XVII	თბილისი, მწიგნობარი	14
63	ხათუნა იოსელიანი	ეთნოსოციალური პროცესების ზოგიერთი ასპექტი ქვემო ქართლში (მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგალითზე), *კრებ.*	XVII	თბილისი, მწიგნობარი	12

		ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი			
64	როზეტა გუჯეჯიანი	ისტორიის რეპრეზენტაცია - ყანსავ ყიფიანი – ლეგენდა თუ სინამდვილე, *წმ. ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტის შრომები*	III	თბილისი, საპარტიარქოს გამომც.	12
65	როზეტა გუჯეჯიანი	ეთნიკურ ქართველთა განსახლების არეალი და ისტორიული მახსოვრობის ფაქტები ზემო მაჭახელში, სინამდვილე, *წმ. ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტის შრომები*	I	თბილისი, საპარტიარქოს გამომც.	14
66	როზეტა გუჯეჯიანი, როინ მალაყმაძე	ვახტანგ მალაყმაძის (ჰაირი ჰაირიოღლუს) ბიოგრაფიიდან - სვლა წმიდა ილია მართლის გზით, *კრებ. ჩვენი სულიერების ბალავარი*	VII კონფ. მასალები	თბილისი, უნივერსალი	10
67	როზეტა გუჯეჯიანი	ლამპრობის ტრადიცია საქართველოში, *კავკასიის ეთნოლოგიური კრებული*	XVI	თბილისი, უნივერსალი	22
68	როზეტა გუჯეჯიანი	ისტორიის რეპრეზენტაცია - დიდგორის „ძლევაი საკვირველის“ მოტივები ტრადიცულ ქართულ ყოფაში - სვანეთი, *წმ. ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტის შრომები*	IV	თბილისი, საპარტიარქოს გამომც.	7
69	როზეტა გუჯეჯიანი	კვირიკობა სვანეთში, *წმ. ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტის*	V	თბილისი, საპარტიარქოს გამომც.	12

		შრომები			
70	გიორგი მამარდაშვილი	გივი ელიავა და მისი ღვაწლი სამეგრელოს ეთნოგრაფიის შესწავლაში, *კრებ. ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი*	XVII	თბილისი, მწიგნობარი	16
71	როლანდ თოფჩიშვილი	Об этнической принадлежности двалов, *კრებ. ოსები საქართველოში*	–	თბილისი, უნივერსალი	44
72	როლანდ თოფჩიშვილი	Об осетинской мифологеме истории и кража истории, *კრებ. ოსები საქართველოში*	–	თბილისი, უნივერსალი	64
73	როლანდ თოფჩიშვილი	Карты отображающие миграцию Осетин в Грузию, *კრებ. ოსები საქართველოში*	–	თბილისი, უნივერსალი	10
74	როლანდ თოფჩიშვილი	ოსური ეთნოგრაფიული ენციკლოპედია ქართულ-ოსური ურთიერთობების კონტექსტში	კონფ. მასალები	თბილისი	3
75	როლანდ თოფჩიშვილი	აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია – ქართული მეცნიერული ეთნოლოგიის ფუძემდებელი, *კავკასიის ეთნოლოგიური კრებული*	XVI	თბილისი, უნივერსალი	19
76	როლანდ თოფჩიშვილი	ქართული სამოსის ისტორიიდან: ჩოხა-ახალუხი, *კავკასიის ეთნოლოგიური კრებული* (რუსულ ენაზე)	XVI	თბილისი, უნივერსალი	40
77	როლანდ თოფჩიშვილი, მ. ბახტაძე, ბ. კუპატაძე, დ. შველიძე	საქართველოს ისტორიის დამახინჯების შესახებ აზერბაიჯანულ გამოცემებში, *კრებ. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები*	IX	თბილისი, თსუ-ს გამომ.	18
78	როლანდ თოფჩიშვილი	ქართული გვარსახელები იმერხევში, *ჟურნ.*	კონფ. მასალები	თბილისი, საპარტიარქოს გამომც.	19

		ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები			
79	როლანდ თოფჩიშვილი	ზაქარია ჭიჭინაძე ქართველთა რელიგიურ-კონფესიური ჯგუფების შესახებ, *კრ. ზაქარია ჭიჭინაძე – 160*	კონფ. მასალები	თბილისი	13
80	სალომე ოქრუაშვილი, ირმა კვაშილავა	ჯინჯი ხატი (ძირი ხატი) სამეგრელოში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), *კრებ. ჩვენი სულიერების ბალავარი*	VII კონფ. მასალები	თბილისი, უნივერსალი	10
81	სალომე ოქრუაშვილი	ოსური ოჯახი და საოჯახო ყოფა, *კრებ. ტიპოლოგიური ძიებანი*	VII	თბილისი, უნივერსალი	28
82	სალომე ოქრუაშვილი	აზერბაიჯანის ქართული მოსახლეობის (ინგილოების) ოჯახი და საოჯახო ყოფა, *კავკასიის ეთნოლოგიური კრებული*	XVI	თბილისი, უნივერსალი	29
83	სალომე ოქრუაშვილი	ოსთა საზოგადოებრივი ყოფა XVIII-XIX საუკუნეებში, *კრებ. სოხუმის უნივერსიტეტის შრომები*	XIII	თბილისი, სოხუმის უნივ. გამომც.	10
84	ლავრენტი ჯანიაშვილი	ოსურ–ქართული კონფლიქტის ინსპირირების კულტურულ–ისტორიული ასპექტები (საქართველოს სეპარატისტული რეგიონები და რუსეთის გეოპოლიტიკური პარადიგმა), *კავკასიის ეთნოლოგიური კრებული*	XVI	თბილისი, უნივერსალი	15
85	ნათია ჯალაბაძე	გაორებული ცხოვრება ორმაგი სტანდარტის პირობებში — ახალგორელები დილემის წინაშე, *კავკასიის ეთნოლოგიური კრებული*	XVI	თბილისი, უნივერსალი	14

86	ირმა კვაშილავა	წმინდა შაბათი ქართველ ებრაელთა ყოფაში, *კრებ. ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი*	XVII	თბილისი, მწიგნობარი	12
87	ჯონი კვიციანი	ადიღეელები (ჩერქეზები) XVIII-XIX საუკუნეებში	ბროშურა	თბილისი, უნივერსალი	54
88	ლიანა ბითაძე	აკად. აქლექსანდრე ჯავახიშვილის ანთროპოლოგიური მემკვიდროება, *კრებ. გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები*	კონფ. მასალები	თბილისი, თსუ-ს გამომც.	5
89	ვლადიმერ ასლანიშვილი	ქვემო ქართლის მოსახლეობა ენეოლითა - ადრეულ მტკვარ-არაქსში (ანთ-როპოლოგიურ-პათოლოგიური გამოკვლევა), *კრებ. კულტურათაშორისი დიალოგები*	III კონფ. მასალები	თელავი, თელავის სახ. უნივერს. გამომ.	10
90	ვლადიმერ ასლანიშვილი	ცაგერის წმიდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის ტაძრის საკურთხეველში აღმოჩენილ სამარხში დაკრძალულთა ანთროპოლოგიურ-პათოლოგიური გამოკვლევა, იდენტიფიცირება, *კრებ. აღმსარებელი*	I კონფ. მასალები	თბილისი	17
91	შორენა ლალიაშვილი	საქართველოს მოსახლეობის პალეოპათოლოგიური პროცესების შეფასება (ადრეული, განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების მაგალითზე), *კრებ. გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები*	კონფ. მასალები	თბილისი, თსუ-ს გამომც.	5
92	დავით ჭითანავა	ძველი კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიიდან (აია–კჳტაია, სიბარისი),	კონფ. მასალები	თბილისი, თსუ-ს გამომც.	6

		კრ. გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები, *კრებ. გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები*			
93	დავით ჭითანავა	ოდიშში გავრცელებული პირსახელები და გვარსახელები „აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთრის (მე–16 საუკუნის მეორე ნახევარი–1621 წელი) მიხედვით, *კრებ. ოდიში*	–	თბილისი, აფხაზეთის მეცნ. კადემ. გამომც.	16
94	დავით ჭითანავა	სამეგრელოს ტოპონიმიიდან („სინწა”, „ძაღვა”, „უმპია”), *კრებ. ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი*	XVII	თბილისი, მწიგნობარი	12
95	დავით ჭითანავა	ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები ზუგდიდის რაიონში, *კრებ. ანალები*	XI	თბილისი, ინივერსალი	42
96	დავით ჭითანავა, რ. ხვისტანი	ოდიშის ციხე–სიმაგრეები, *კრებ. ოდიში*	–	თბილისი, აფხაზეთის მეცნ. კადემ. გამომც.	19
97	დავით ჭითანავა, ლ. ჯიქია, ფ. აფაქიძე	ისტორიისა და კულტურის ძეგლები, *წიგნი: ზუგდიდი – წარსული და თანამედროვეობა*	–	თბილისი, ივერონი	11
98	თეიმურაზ ჯოჯუა	XV-XVIII საუკუნეების ხელნაწერი კრებულის (H-375) შედგენილობაში გამოვლენილი XV საუკუნის ორი ხელნაწერი წიგნი – ტაოს უცნობი ერისთავის გიორგი კავკასიძის (1535/1536-1545 წწ.) ფეოდალური სახლის კუთვნილი მარხვანი (H-375ა) და უცნობი იშხნელი ეპისკოპოსის ჯერასიმეს დაკვეთით იშხანში	24	თბილისი	59

		გადაწერილი ზატიკი (H-375ბ), *კრებ. მრავალთავი*			
ანოტაციები ქართულ ენაზე					
1	ანითას სახელით შედგენილი ტექსტი უძველესია შემორჩენილ ინდოევროპულ ტექსტთაგან. იგი მოგვითხრობს ძვ.წ. XVII საუკუნეში ქალაქ ქუსარას სამეფო დინასტიის აღმავლობისა და ცენტრალურ ანატოლიაში წარმოებული სამხედრო ოპერაციების შესახებ. „ანითას ტექსტი“ მკვლევართა ყურადღების ცენტრში მისი ენათმეცნიერული და ისტორიული ღირებულებებისგამო მოექცა. ჩვენთვის ტექსტი, პირველ რიგში, მასში დაცული რელიგიური ინფორმაციითაა საინტერესო. სავარაუდოდ, აქ შემოინახა მინიშნებები იმ პროცესებზე ხეთების რელიგიაში, რომლებმაც საფუძველი დაუდო ხეთების სამეფოს ოფიციალურ პანთეონს, ხეთების სამეფო იდეოლოგიას. მკითხველს ვთავაზობთ ტექსტის თარგმანს კომენტარებითურთ, სადაც ასახულია როგორც ტექსტის შესწავლის დღევანდელი მდგომარეობა, ასევე ჩვენი მრავალწლიანი კვლევის შედეგები.			
2	სტატიაში ნაჩვენებია, თუ როგორ იცვლებოდა ხეთების მეფეთა დამოკიდებულება ღვთაებებისადმი ხეთების მთელი ისტორიის მანძილზე, გაანალიზებულია ამ ცვლილებათა გამომწვევი მიზეზები და მიზნები ცალკეულ მეფეთა „რეფორმატორული“ მოღვაწეობის ფონზე, გამოყოფილია ძირითადი, გარდამტეხი ეტაპები მეფესა და ღვთაებებს შორის ურთიერთობაში.			
3	ავტორთა მიერ შესწავლილ კულულუს ტყვიის ფირფიტაზე შესრულებული იეროგლიფურ-ლუვიური წარწერა მხოლოდ რაოდენობით რიცხვით სახელებს ადასტურებს, რომელთა ფონეტიკური ამოკითხვა ჯერჯერობით არ ხერხდება. მ თვალსაზრისით, გამონაკლისს ოთხი და ცხრა წარმოადგენს. ხეთური და ლუვიური ლურსმულის, A და B ლიკიურის მსგავსად 4-ისა და 9-ის აღმნიშვნელი ფონეტიკური წაკითხვა აკროფონულ პრინციპზეა დამყარებული.			
4	კვლევა-ძიება ერთმნიშვნელოვნად უჩვენებს დროში ქალის საზოგადოებრივი სტატუსის ცვალებადობას, კერძოდ, გვიანხეთურ ხანაში არსებულ გენდერულ დისბალანს – ხეთური ხანისაგან განსხვავებით, გვიანხეთური ხანის საზოგადოებაში ქალთან შედარებით მამაკაცის როლის მნიშვნელობის გაზრდას. ავტორთა ვარაუდით, ქალის სტატუსის დაქვეითებას ძვ. ჭ. X-VIIIსს. ბიექტური საფუძველი გააჩნდა. საქმე ისაა, რომ ხეთების იმპერიის ნანგრევებზე წარმოქმნილი წვრილი სამეფო-სამთავროები (მუშქების ქვეყანა, თაბალი, ხილაქუ, ქუე, მელიდუ-ქამანუ, ქარხემიში, გურგუმი, კუმუხი) პირისპირ აღმოჩნდნენ ისეთი დიდი და ძლიერი იმპერიის წინაშე, როგორიც ასურეთი იყო. სამთავროების პოლიტიკური დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად ამ სამეფოების მესვეურებს თავდაცვა პერმანენტულად უწევდათ და ამ მიზეზით, ბუნებრივია, ქალის სტატუსი უკანა პლანზე უნდა აღმოჩენილიყო. მ თვალსაზრისით, ისიც არაა შემთხვევითი, რომ გენდერული დისბალანსი გვიანხეთური ხანის სამეფო-სამთავროთა პანთეონშიც აისახა. ხეთური ხანისაგან განსხვავებით, პანთეონში უზენაესი ღვთაების სტატუსი მზის ღვთაების ნაცვლად ამინდის, ნაყოფიერების და ომის ღვთაება თარხუნთასმა დაიკავა. ფრო მეტიც, მამრი ღვთაების თარხუნთასის უპირატესობა ძვ. ჭ. X-VIII სს-ის მეფე-მთავართა ტიტულატურაშიც აისახა. შამეფო ხელისუფლების გენეზისის იდეაც მდედრი მზის ღვთაების ნაცვლად თარხუნთასს დაუკავშირდა.			
5	გვიანხეთურ ხანაში კილიკიის ტერიტორიაზე პოლიტიკური გაერთიანებები არსებობდა, რომელთა შესახებ ცნობები წერილობით ძეგლებში დასტურდება (იეროგლიფურ-ლუვიური დანუნა და ასურული ლურსმული წარწერების ქუე, Kundu, Sissu, Pirindu). ნაშრომში ყარათეფეს ბილინგვა სწორედ ამ კუთხითაა			

	შესწავლილი და წარმოჩენილია ანტიასურული კოალიციის მოქმედებები აღმოსავლეთ მცირე აზიაში.
6	ავტორის მიერ შესწავლილი XVIII საუკუნის ოსმალური დოკუმენტები, რომელშიც აფხაზეთთან ურთიერთობის ეპიზოდები მოწმდება და რელიგიურ ნიშანს ატარებდა.
7	ძვ. წ. XII-VIII საუკუნეების ასურულ და ურარტულ წყაროებში იხსენიება ერთობა სახელწოდებით დაიაენ/დიაოხი. თავიდან ამ ერთობას სპეციალისტები განიხილავდნენ პოლიტიკური კუთხით და საუბრობდნენ მასზე, როგორც სახელმწიფოებრივ წარმონაქმნზე. მოგვიანებით სცადეს ამ ერთობის ეთნიკური იდენტიფიკაცია. ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელდა აზრი დაიენ/დიაოხური იდენტობის ქართულ იდენტობასთან კავშირის შესახებ. ს თვალსაზრისი არსებითად არგუმენტირებული არ ყოფილა. ის გავრცელებას კი ხელი შეუწყო იმან, რომ დაიენ/დიაოხის თემა გადაიქცა ქართული ნაციონალური ნარატივის ქვაკუთხედ თემად და შეიძინა კოლექტიური მახსოვრობის ხატის ფუნქცია. ჭინამდებარე სტატიაში ეს საკითხი გააზრებულია ეთნიკურობის თანამედროვე დეფინიციის შუქზე; კერძოდ, ნაჩვენებია, რომ დაიაენ/დიაოხი წარმოადგენდა საერთო წარმომავლობის რწმენით (სიც!) მარკირებულ ერთობას. ს იყო ამ ჯგუფის თვითსახელწოდება და ნიშნავდა ქალღმერთ დაია/დიაოს ანუ დედაქალღვთაების (დედაუფლის) შვილებს. ქალღვთაების შვილობის რწმენა მიუთითებს ამ ჯგუფის მიერ საკუთარი განსაკუთრებულობის ანუ ეთნიკური რჩეულობის რწმენასაც. სე რომ, დაიაენ/დიაოხის სახელწოდებით აღნიშნული სოციალური რეალობა წარმოადგენდა განვითარებულ ეთნიკურობას. ნობრივი მონაცემი, კერძოდ, სიტყვების დიაოხისა და დიხას (მიწა) იგივეობა (ორივე ნიშნავს „დედისას“, ხოლო მრავალ კულტურაში, მათ შორის, ქართულშიც, „მიწის“ ასოციაციური ბმა დედაქალღთაებასთან საყოველთაოდ ცნობილია) აჩვენებს ამ ერთობის კავშირს ქართველი ერის ეთნიკურ პრეფიგურაციასთან ანუ ეთნიე კოლ-თან/კოლხთან. იაოხი ეთნიე კოლხის ატრიბუტული სახელწოდებაა. ამ ერთობის განსახლების არეალი არ შემოიფარგლებოდა ჭოროხის აუზით; იგი ვრცელდებოდა რიონის აუზშიც და უფრო ჩრდილოეთითაც თანამედროვე სოხუმის სანახების ჩათვლით. ამ უკანასკნელ აზრს განამტკიცებს ტოპონიმი დიოსკურია რომელიც დაიაენ/დაიოხოს ეკვივალენტური ტერმინია: იგი ასევე დედა ქალღვთაების ნაშიერს (დიო – დედაქალღვთაება, სქური – ნაყარი, გამონასხური)) ნიშნავს. მგვარად, სტატიაში გაზიარებულია, ტრადიციული თვალსაზრისი, თუმც მისი განმეორება ხდება თვისებრივად ახალი არგუმენტების მოხმობის საფუძველზე.
8	ნაშრომში გაანალიზებულია აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ მამია დუმბაძის მრავალმხრივი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობა. გაანალიზებულია აგრეთვე, მისი ძირითადი სამეცნიერო მონოგრაგფიები და გამოკვლევები. ბროშურას ერთვის ილუსტრაციები და მ. დუმბაძის ძირითადი ნაშრომების ბიბლიოგრაფია.
9	წიგნი ფართო მკითხველისა და მოსწავლე ახალგაზრდობისთვის არის განკუთვნილი. მასში პოპულარულ ენაზე მოთხრობილია ქართველთა გაქრისტიანების საქმე"ში-ანდრია პირველწოდებულის, წმიდნა ნინოსა და ასურელი მამების წვლილზე.
10	გამოკვლევაში ნაჩვენებია: სუსები-შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრები სანები (ჭანები) არიან, სადაც ანდრია მოციქულმა რამდენჯერმე იქადაგა.
11	მეფის მიერ გაცემული უთარიღო დოკუმენტის დათარიღების მრავალი მეთოდი არსებობს დიპლომატიკაში. მაგრამ მრავალი ასეთი სიგელის დასათარიღებლად საკუთრივ ამ მეფის მოღვაწეობის ქრონოლოგიური ჩარჩოების გარდა სხვა საყრდენი რეალია არ გაგვაჩნია და დოკუმენტიც ზოგადად ამ მეფის მოღვაწეობის წლების

	მიხედვით თარიღდება. ამისათვის კი ჯერ უნდა მოხდეს დოკუმენტის გამცემი მეფის ზუსტი იდენტიფიკაცია. იდენტიფიკაციას ზოგჯერ ართულებს ის გარემოება, რომ დასათარიღებელი დოკუმენტის გამცემი მეფის სახელი ემთხვევა დოკუმენტის შექმნის სავარაუდო ეპოქაში მოღვაწე ორი ან მეტი მეფის სახელს. ასეთ შემთხვევაში დოკუმენტის დათარიღების დროს დგება არჩევანი – ამ ერთი და იგივე სახელის მქონე მეფეებს შორის რომელი მივიჩნიოთ დასათარიღებელი დოკუმენტის გამცემად. წინამდებარე სტატია სწორედ ასეთ ვითარებაში არჩევანის გაკეთების მეთოდს შეეხება. განვიხილავთ ბაგრატ მეფისა და ელენე დედოფლის მიერ დასავლეთ საქართველოში იობ ფანჩულიძისა და გირგალიძეებისადმი მიცემული დოკუმენტების დათარიღების საკითხს. ორივე დოკუმენტი პალეოგრაფიული ნიშან–თვისებით XV–XVI სს. ეკუთვნის. ამიტომ სავსებით მართებულად მკვლევრები აღნიშნული სიგელების დათარიღებას XV–XVI სს–ში მოღვაწე ბაგრატ მეფეს და ელენე დედოფალს უკავშირებენ. მაგრამ XV–XVI სს–ში დასავლეთ საქართველოში ამ სახელების მატარებელი ორი მეფე–დედოფლის წყვილი იჯდა სამეფო ტახტზე: ა) ბაგრატ II (1444–1465) და ბაგრატ III (1510–1565), ორივე მეფის მეუღლეს კი ელენე ერქვა. ზემოთ აღნიშნულ უთარიღო სიგელების გამცემად ზოგი მკვლევარი ბაგრატ II–ს მიიჩნევს, ზოგი ბაგრატ III–ს. ჩემი აზრით საკითხის გადასაჭრელად ამოსავალ წერტილად უნდა ავიღოთ უთარიღო სიგელებში დასახელებული მეფე–დედოფლის შვილების სახელები. გაირკვა, რომ უთარიღო სიგელების გამცემი მეფე–დედოფლის შვილების (ვახტანგი და გიორგი) სახელები ემთხვევა ბაგრატ II–ისა და მისი მეუღლის შვილების სახელებს. ეს ფაქტი საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ აღნიშნული უთარიღო სიგელები გაცემულია ბაგრატ II–ის მიერ.
12	ნაშრომში განხილულია ვალაშკერტის ეპარქიასთან დაკავშირებული საეკლესიო და პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები, დადგენილია საეპისკოპოსოს ცენტრი და საზღვრები, განსაზღვრულია ეპარქიის არსებობის ქრონოლოგიური ჩარჩოები, გარკვეულია საერო სენიორიებთან მიმართება. შედარებულია ბასიან-ვალაშკერტის საეკლესიო მოწყობა ქართულ და ბიზანტიურ სივრცეში.
13	აგარაკის ეპარქია ერთ–ერთი ძველი ქართული ეპარქიაა, რომლის შესახებ ცნობები ძალზედ მწირია. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, მისი დაარსება მიეწერება ვახტანგ გორგასალს. ქართველი ისტორიკოსის ჯუანშერის ცნობით, ვახტანგ გორგასალმა ერთი ეპისკოპოსი დასვა „... აგარაკს, რომელ არს ხუნანს გამართებით“ (გასწვრივ). აგარაკის ეპისკოპოსი რიგით მეთერთმეტეა და ისტორიკოსი მას ხორნაბუჯის ეპისკოპოსის შემდეგ ასახელებს. ამ ცნობას ვახუშტი ბაგრატიონიც იმეორებს, თუმცა იგი აგარაკს ახტალასთან აიგივებს. ეს ფაქტი მკვლევარ დ. ბერძენიშვილს შეცდომად მიაჩნია, რადგან ვახუშტის ხუნანი ქცია-მტკვრის შესართავში, ბერდუჯის მდინარე კი დებედას ხეობაში ეგულება. სინამდვილეში ბერდუჯის მდინარე დღევანდელი ძეგამია, ხუნანი კი ძეგამის დასავლეთით მყოფი „თოფრახ-კალა” (დ. ბერძენიშვილი). აგარაკის ეპარქიის კონკრეტული საზღვრების შესახებ საუბარი ძნელია. ს.ს. ორბელიანის განმარტებით, „აგარაკად ითქმის დაბაცა ადგილი და საყანური“. ძველი ქართული ენის განმატებით ლექსიკონში „აგარაკი“ განმარტებულია, როგორც „ქუეყანაი საქმარი“, დაბა, სოფელი, ყანა, ველი (ი. აბულაძე). „აგარაკი“ თავისი შინაარსიდან გამომდინარე ბევრგან შეიძლება ყოფილიყო, მათ შორის ახტალასთანაც. არ არის გამორიცხული, რომ ვახუშტიმ ინფორმაცია მექანიკურად მიუსადაგა ახტალასთან მყოფ აგარაკს. ჯუანშერთან მოხსენიებული აგარაკი კი ხასგასმით ხუნანთან არის მითითებული – „ხუნანს გამართებით“. თუ ვახუშტის მიხედვით აგარაკის

	ეპარქიაში შედიოდა ხუნანი, გარდაბანი და ბერდუჯის მდინარე, მაშინ აქ იგულისხმება ქართულ წყაროებში მოხსენიებული ხუნანის (გარდაბნის) საერისთავო, რომელიც მოიცავდა ტერიტორიას „ … ბერდუჯის მდინარითგან ტფილისამდე და გაჩიანთამდის“ (იგულისხმება ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყნები). ანუ გარდაბანს დასავლეთიდან გაჩიანი ესაზღვრებოდა, ჩრდილოეთიდან კი თბილისი. შესაბამისად გარდაბნის მომცველ აგარაკის ეპარქიის დასავლეთით მდებარეობდა ისტორიულ წყაროებიდან გამომდინარე გაჩიანის (შდრ. უხტანესთან „ცურტავის ქვეყანა“) მომცველი ცურტავის ეპარქია. არსებობს მოსაზრება, რომ აგარაკის ეპისკოპოსი უნდა იყოს სომხური წყაროს „ეპისტოლეთა წიგნში“ მოხსენიებული „ისააკ ეპისკოპოსი ქუნანაკერტისა“, რომელიც ხუნანაკერტელად არის მიჩნეული (დ. ბერძენიშვილი). უხტანესი ქუნანაკერტს „ჰნარაკერტის“ ფორმით მოიხსენიებს. აღნიშნული წყაროების გარდა, აგარაკის ეპისკოპოსი სხვა წყაროებში აღარ მოიხსენიება. ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულია, რომ აგარაკის ეპარქიაში უნდა შესულიყო ხუნანი თავისი ოლქით (ტერიტორიას ჰასანსუსა და ძეგამჩაის შორის), ძოროფორი (აღსტაფის ხეობა) და კოლბოფორი (ინჯას ხეობა). თუ სად იყო აგარაკის ეპარქიის ცენტრი ცნობილი არ არის. წყაროში ერთადერთი მინიშნება არის ის, რომ აგარაკი ხუნანის გასწვრივ, უნდა ყოფილიყო. ქართულ წყაროებში დაცულ ტრადიციის მიხედვით, ხუნანის საერისთავოს შემდგომ გარდაბანი ეწოდებოდა. ს.ს. ორბელიანის განმარტებით, „გარდა“ არის „მისგან კიდე“, „კიდე“ კი ნიშნავს ნაპირს. ანუ, „გარდა“ უნდა ნიშნავდეს რაიმესგან განაპირას. ქართულ კილო თქმათა ლექსიკონში „გარდამ“ (გურ.) ნიშნავს გარეთ, ხოლო „გარდით“ (თუშ.) – შორიახლო (ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა). აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლოა, აგარაკის ეპარქიის ცენტრი ხუნანის ციხე-სიმაგრის გარეთ, ან შორიახლოს უნდა ყოფილიყო, მიმდგომი ქვეყნის – ხუნანის საერისთავოს საზღვრებში.
14	ახტალის ქართული მონასტერი ისტორიული ქვემო ქართლის ტერიტორიაზე (ისტ. ლორე) დებედას ხეობაში მდებარეობს. იგი XII-XIII სს-ის მიჯნით არის დათარიღებულ, ჯვარ-გუმბათოვან ტაძართა დიდ ჯგუფს მიეკუთვნება. ახტალის შემოგარენში მრავალი ეკლესია ყოფილა გაბნეული: ღვთისმშობლის სახელობის მთავარი ტაძრის გარდა აქ მოქმედებდა წმ. გიორგის, წმ. სამების, გრიგოლ ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესიები. მისი დაარსების შესახებ რამდენიმე ისტორიული ტრადიცია არსებობს. პ. იოსელიანის ცნობით, მელიქიშვილებს, რომელთა მამულშიც შედიოდა ახტალა, ჰქონდათ საგვარეულო გადმოცემა, რომლის მიხედვით იგი ჰერაკლე კეისარს აუშენებია. ეს ამბავი უკავშირდება ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატს, რომელიც თან ახლდა კეისარს ირანში ლაშქრობის დროს. აქ შეიძლება ჰერაკლე კეისრის საეკლესიო პოლიტიკის გამოძახილი დავინახოთ, რომელიც მან აღმოსავლეთში ბიზანტიის იმპერიის პოზიციების განმტკიცების მიზნით, საქართველოში გაატარა. სომეხი ისტორიკოსები (ვარდანი, კირაკოს განძაკეცი) ახტალის მონასტრის აშენებას ივანე მხარგრძელს მიაწერენ და ხაზს უსვამენ, რომ ივანე ათაბაგმა იგი სომხებს წაართვა და ქართულ მონასტრად აქცია. როდესაც ივანე ათაბაგმა მიიღო მართლმადიდებლობა, ახტალა თავის საძვალედ აქცია და იქ ქართული მონასტერი დაარსა. ახტალის მონასტრის დაარსებას წინ უძღოდა ის პერიოდი, როდესაც სომეხ-ქართველთა საეკლესიო უნიის საკითხი მთელი სიმწვავით კვლავ დაისვა XII-XIII სს-ის მიჯნაზე. ქართული სახელმწიფოს კონფესიური პოლიტიკა გამოიხატა ახტალის ქართული მონასტრის დაარსებით, რომელიც XIII საუკუნის

	დასაწყისში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურის სავანე და მართლმადიდებლური კერა იყო ქვემო ქართლში. ისტორიის ნებისმიერ ეტაპზე „პღნძაჰანქი“, ანუ ახტალის მონასტერი ღვთისმშობლის სახელობის იყო, რასაც ამტკიცებს ქართულ-სომხური წყაროები: მელიქიშვილების აღნიშნული საგვარეულო გადმოცემა ჰერაკლე კეისრის მიერ ღვთისმშობლის სავანის დაარსება ახტალაში; 1183 წლის მარიამ კვირიკიან-ბაგრატუნის ქვაჯვრის წარწერა, სადაც მოიხსენიება „პღნძაჰაქის წმ. ღვთისმშობელი; გრიგოლ ნოსელის „თარგმანება ეკლესიასტეს წიგნისა“ სომხური თარგმანის ერთი მინაწერი. ახტალის ტაძარში განსაკუთრებულ ეფექტს ახდენდა ვლაქერნის ღვთისმშობლის უზარმაზარი გამოსახულება. შემორჩენილია აგრეთვე, ღვთისმშობლის შობისა და მიძინების ამსახველი სცენები, რასაც დღესასწაულობდა ეს ეკლესია (პ. იოსელიანისა და დ. ბაქრაძე). წელიწადში ორჯერ ღვთისმშობლის შობისა და მიძინების დღეებში მოდიოდა მღვდელი და აღასრულებდა წმ. ლიტურგიას, რომელსაც ყველა აღმსარებლობის მრევლი ესწრებოდა (პ. იოსელიანი). აღნიშნული შეიძლება მიუთითებდეს, რომ წინარექრისტიანულ ხანაში აქ ხალხისთვის საერთო, მნიშვნელოვანი წარმართული სალოცავი უნდა ყოფილიყო. ახტალის მონასტერს უკავშირდება ე. წ. „უცნობი მონასტრის“ ტიპიკონის ტექსტი. ტიპიკონში მოხსენიებული მონასტერი ღვთისმშობლის სახელობისაა, ისევე, როგორ ახტალა; ორივე მონასტერს დიდი ამაგი დასდო ივანე ათაბაგმა; ორივე მონასტერს მხარგრძელთა გვარის სამწირველო აქვს; ტყავის ნაჭერი, სადაც ტიპიკონის ტექსტი აღმოჩნდა, თავად მელიქიშვილებს (სომხითის მელიქის ძეები) გამოუყენებიათ და თავისუფალ II გვერდზე გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრისადმი 1777 წლის შეწირულობის სიგელი დაუწერიათ. ჩანს, მელიქიშვილებს ხელი მიუწვდებოდათ მათ მამულში არსებულ ახტალის მონასტრის დოკუმენტებზე, რომელიც გვიანფეოდალურ ხანაში მათ საძვალეს წარმოადგენდა.
15	საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ბოლნისის ეპარქია მოიცავდა ჭოჭკანის, ხოჟორნის, გორულის, მანხუტის, ტალავრის, სარკინეთის, ფოლადაურის და შულავრის ხეობებს. ბოლნისის ეპარქიის ცენტრის დაარსების სამი ისტორიული ტრადიცია არსებობს: 1. ლეონტი მროველის ცნობით, ბოლნისის ეკლესია ქართლის მეფე ფარსმან ვარაზ-ბაქარის ძეს (მირიანის სიძის რანის ერისთავის ფეროზის შვილთაშვილი) აუშენებია, 2. „მოქცევა ქართლისა” ბოლნისის სიონის აშენებას ბაკურ მეფის დროს მთავარეპისკოპოს ელიას მიაწერს, 3. ჯუანშერის ცნობით, ვახტანგ გორგასლის მიერ ჩატარებული საეკლესიო რეფორმის შედეგად ერთ-ერთი ეპისკოპოსი მას ბოლნისს დაუსვამს. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ბოლნისი „აღაშენა კ თ, და გორგასალ დასუა ეპისკოპოზი. შემდგომად შემუსვრილი აღაშენა პ თ დედოფალმან მარიამ“. სახელწოდება „ბოლნელ”-თან დაკავშირებით არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვით, შესაძლებელია იგი მომდინარეობდეს „ბოვ” ძირისაგან. ბოლნელი ეპისკოპოსები გვიანფეოდალურ საბუთებში ხშირად „ბოვანელ-ბოვნელად” იწოდებიან. ვახუშტი ბატონიშვილი შუა და ზემო ბოლნისებთან ასახელებს სოფ. „ბოვაძორს”, რაც „ბოვის ხევს” ნიშნავს. სხვა მოსაზრებით, „ბოლნისი” (მისგან მომდინარე - „ბოლნელი”) „ბოლ” ძირიდან უნდა მომდინარეობდეს, რაც სიუხვესთან და დოვლათიანობასთან არის დაგავშირებული და სიმრავლის, კრებითობის გამომხატველ სახელწოდებათა აღმნიშვნელი სიტყვების ძირი უნდა იყოს. „ბოლ”-ისგან უნდა მომდინარეობდეს სიტყვები – „ბოლიქ”-ი, რაც ფშაურ

	კილოზე ჯოგს, ან ფარას ნიშნავს (პატარა შვილების). მისი მსგავსი უნდა იყოს აგრეთვე, სიტყვა „ბოლქვ"-ი, რომელიც ასევე ფშაურ და თუშურ კილო-თქმებით გროვას, ჯგუფს აღნიშნავს („ბოლქვი შვილების"). როგორც ჩანს, ამ ძირით ნაწარმოები სიტყვები წვრილფეხა ჩლიქოსან ცხოველთა შვილების ჯოგის, ან ფარის აღმნიშვნელია. შიდა ქართლში ტოპონიმი „ბოლიც" არის, რომელიც ახალგორის რნ-ის სოფლების ზემო და ქვემო ბოლის აღიმნიშვნელი ძველი სახელწოდებაა. ვახუშტი ბაგრატიონის თქმით, ბოლნისის ეპარქიაში შემავალი ქვემო ქართლის „სომხითი" პირუტყვთა სიმრავლით გამოირჩეოდა, სადაც ყოფილა „ჯოგნი მრავალნი". წყაროებში მოიხსენიება ზემო, შუა და ქვემო ბოლნისები. ბოლნისის ეპარქია გამოირჩეოდა ადრექრისტიანული ხანის ქვის ძეგლებით, წარწერიანი და უწარწერო ბოლნური ჯვრებით (მაგ:. „ლამაზი გორა" – IV-VII სს-ით დათარიღებული სამონასტრო კომპლექსი სამნავიანი ბაზილიკის ნაშთით). მიჩნეულია, რომ ბოლნისის სიონის წარწერებიდან გამომდინარე ტაძარი ჯერ წმ. სამების სახელობის უნდა ყოფილიყო (დავით ეპისკოპოსის საამშენებლო წარწერა), შემდეგ წმ. გრიგოლის (X ს-ის წარწერა ღამისთევის შესახებ-ელია ბოლნელი), უფრო გვიან დღევანდელ დღემდე კი ღვთისმშობლის სახელობის ტაძრად ითვლება. ბოლნელი ეპისკოპოსები წყაროებში შემდეგი სახელწოდებებით იწოდებიან: „მღვდელთმოძღვარი", „მამათ მთავარი", „მთავარეპისკოპოსი". „განგება დარბაზობისა"-ს მიხედვით, ქართველ ეპისკოპოსებს შორის ბოლნელს 26-ე ადგილი ეკავა. ბოლნელი ეპისკოპოსები არსებულ ისტორიულ წყაროებში შემდეგი თანამიმდევრობით მოიხსენიებიან: დავით ეპისკოპოსი – (V) – მოიხსენიება ბოლნისის სიონის წარწერაში (479-494) და „ეპისტოლეთა წიგნში" (506) სტეფანე ეპისკოპოსი – (VIII-IX) – კიანეთის სამების სტელა-ჯვრის წარწერა ელია ბოლნელი მღვდელთმოძღვარი – (X) ბოლნისის წარწერა საბუთები იოანე ბოლნელი – (X-XI) – ერთ-ერთი ეპიტაფიის წარწერა უცნობი „ბოლნელი მამათავარი" – (XII-XIII) – „განგება დარბაზობისა" საბა ბოლნენლი – (XVII) – 1611 წლის საბუთი ნიკოლოზ ბოლნელი – 1615 წლის საბუთი იოვანე ბოლნელი (რევიშვილი) – 1620 წლის საბუთი აბრაამ ბოლნელი (ბარათაშვილი) – 1621/1622 წლის საბუთი უცნობი ბოლნელი – XVII ს-ის 30-იან წწ. იოსებ ბოლნელი (რევიშვილი) – 1645-1677 წწ. ნიკოლოზ ბოლნელი – (მუხრანბატონი) 1678-1688 წწ. იოვანე II ბოვნელი/ბოლნელი (რევიშვილი) – 1689-1693 წწ. მაქსიმე ბოვნელი/ბოლნელი (მაჭუტაძე) – 1696-1699 წწ. იოვანე II ბოვნელი/ბოლნელი (რევიშვილი) – 1699-1701 წწ. დომენტი თბილელ-ბოლნელი (ორბელიანი) 1701-1728 წწ. ჯუმათელ-ბოლნელი (უცნობი) 1728-1735 წწ. ეფთიმე თბილელ-ბოლნელი (შესაძლოა) 1701-1728 წწ. უცნობი ბოლნელი – 1947-1949 წწ. ტიმოთე ბოლნელი, ქართლის მთავარეპისკოპოსი (გაბაშვილი) 1949-1954 წწ. XVIII ს-ში ბოლნისის ეპარქიის დაკნინების გამო ზოგჯერ მას სხვა (თბილისი, მანგლისი) ეპარქიებთან აერთებდნენ.
16	სტატიაში შესწავლილია ფრანგული "ანალების" სკოლის ჩამოყალიბებისა და განვითარების ძირითადი ეტაპები. როგორც ცნობილია, ჟურნალ "ანალების"

	ირგვლივ ჩამოყალიბებულმა ფრანგულმა ისტორიულმა სკოლამ უარი თქვა XIX ს-ში პრევალირებულ პოზიტივისტურ და მოვლენების ამსახველ ისტორიაზე და ტრადიციული "ისტორია – თხრობა" "ისტორია – პრობლემით" შეცვალა. მათ მიერ იდეალად დასახულმა "ტოტალურმა ისტორიამ", რაც სოციალურ-ისტორიული სინამდვილის ყოველმხრივ ასახვას გულისხმობდა, თავისი ინტერესების ცენტრში ადამიანი მოაქცია და მისი შესწავლა დაისახა მიზნად. ამავე დროს, გაარღვია ფრანგულ ისტორიოგრაფიაში დაკანონებული ჩარჩოები და სხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებებთან კავშირების გზები დასახა. სოციოლოგია, დემოგრაფია, ეთნოლოგია, ფსიქოლოგია, ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორია და სხვ. სტატიაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა "ანალების" სკოლის მესამე თაობის ბრწყინვალე წარმომადგენლის ე. ლე რუა ლადიურის შემოქმედების კვლევას. ცალკეა შესწავლილი მისი გახმაურებული ნაშრომი "მონტაიუ", რომელსაც საფუძვლად დაედო პამიეს ეპისკოპოსის ინკვიზიციის ჩანაწერები, რომელიც 1318-1325 წწ. მონტაიუს კათარი მოსახლეობის წინააღმდეგ მოქმედებდა. სტატიას ერთვის ამ მონოგრაფიის ერთ-ერთი თავის - "სიკვდილი მონტაიუში" – ჩვენს მიერ ფრანგულიდან შესრულებული თარგმანი.
17	ისტორიული გეოგრაფიის კვლევის თვალსაზრისით საქართველოს საზოგადო რუკამ(1931-32 წწ.) დიდი დახმარება გაგვიწია VII საუკუნის ცნობილი საეკლესიო მოღვაწის მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრებაზე მუშაობისას. როგორც ცნობილია ქრისტიანული სამყაროს ეს დიდი მამამთავარი ამ საუკუნის 20-ან წლებში დასავლეთ საქართველოში თანამოაზრეებთან ერთად გადმოასახლეს. მაქსიმე აღმსარებელი აქ „სხემარის ციხეში" მიიცვალა. სხემარი სვანური „სგიმარის" ანუ მჟავე, მინერალური წყლის ბერძნული გადმოცემაა. 1931-32 წლების რუკაზე აფხაზეთში, კოდორის (დალის) ხეობაში, კერძოდ მდინარე ჩხალთის ხეობაში დაფიქსირებულია მჟავე წყლის საბადო. მის ახლოს კი არის აწგარის ნაციხარი, რომელიც ძველად „სგიმარის", ანუ ბერძნულად „სხემარის" სახელით უნდა ყოფილიყო ცნობილი. ბიზანტიურ საისტორიო წყაროებში კოდორის ხეობაში „ძახარის ციხე" არის ნახსენები, რომელსაც მეტსახელად „რკინისას" უწოდებდნენ. ისტორიოგრაფიაში ეს ციხე ჩხალთის ციხესთან მართებულად არის გაიგივებული, მაგრამ რატომ უწოდებდნენ „რკინისას", ეს უცნობი იყო. ამ რუკაზე კი ამ ნაციხარის ახლოს რკინის მადნის საბადოა აღნიშნული. გამომდინარე აქედან ჩხალთის ციხის მეტსახელის წარმომავლობის ახსნა საზოგადო რუკის მეშვეობით ადვილია. კიდევ ერთი ტოპონიმის- „თუსუმეს" დადგენაში დაგვეხმარა ეს რუკა. მდინარე კოდორის მარცხენა მხარეს რუკაზე დატანილია პატარა მდინარე და დასახლება „თუმუში", რომელიც ძველბერძნულ „თუსუმეს" ესადაგება. ბიზანტიურ წყაროებში იხსენიება „დარინის გზა", რომელიც ჩრდილოეთ კავკასიას აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთთან აკავშირებდა. საზოგადო რუკაზე აღნიშნულია უღელტეხილი „აქუნდარა", რომლის სახელწოდებაში დაცული უნდა იყოს „დარინი". ამ უღელტეხილიდან მდინარე ბზიფის ხეობით მომავალი გზა „დარინის გზის" მარშრუტს ემთხვევა.
18	კვლევის საკითხს წარმოადგენს ბერძნულ-რომაულ საისტორიო წყაროებში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოხსენიებული ტომების სახელწოდებების გარკვევა. მიმოვიხილეთ ძველ ბერძნულ, რომაულ და ბიზანტიურ საისტორიო წყაროებში დაცული ცნობები, საიდანაც შესაძლებელია იმგვარი დასკვნის გაკეთება, რომ ზოგიერთი ბერძნულ-რომაული სახელწოდება კრებითი მნიშვნელობის და რეალურად ამა თუ იმ ტომის სახელწოდებას არ წარმოადგენდა. მაგალითად, ფთეიროფაგები – გირჩისმჭამელები. სევე, მაკროპოგონები, ანუ გრძელწვერიანები. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი-ზღვისპირეთში მცხოვრები დასავლურ ქართული, ჭანური მოდგმის ტომის – დრილების სახელი კი პირდაპირ ბერძნულ თარგმანს წარმოადგენს და მურღულის ხეობის მკვიდრთ მიემართება. მურღული მეგრულ-ჭანურად გრძელ

	ჭიას აღნიშნავს, რომლის ბერძნული შესატყვისია „დრილოს”. ასევე ბერძნული წარმომავლობის უნდა იყოს ეთნონიმი ლაზი, რომელიც დასავლეთ საქართველოს მაცხოვრებლებს მიემართებოდა. ბერძნული ლაზია ქართულად ხშირ ბუჩქნარს ნიშნავს და კოლხეთის დაბლობზე განსახლებულ ჭანების სახელწოდებად გამოიყენეს ანტიკური ხანის ავტორებმა, რომ განესხვავებინათ სხვა, მთაში მცხოვრები ჭანებისაგან, რომლებიც სოციალურ-კულტურული თვალსაზრისით უფრო დაბალი განვითარების საფეხურზე იდგნენ. სალტიების ტომში იგივე ძნელად გასასვლელი ტყიანი ადგილი იგულისხმება. ე.ი. ბერძნული „ლასიო” იგივეა რაც ლათინური „სალტია”. ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსახლე სანიგების ტომის სახელიც ბერძნულია: „სანი” ჭანს აღნიშნავს, ხოლო „გა” ზოგადად მიწას, ანუ ჭანების მიწა. ანტიკურ ავტორებთან ნახსენები აფსილთა ტომი შემთხვევაში ანალოგიური ვითარება უნდა გვქონდეს. „აფსილაი” ითარგმნება როგორც უმეგობრო, ზოგადად მტრული. ამ ტომში ასევე დასავლურ ქართული, მეგრული ტომი იგულისხმება.
19	სტატიაში საარქივო მასალებისა და სამეცნიერო ლიტერატურეს მონაცემების მიხედვით, განხილულია საქართველოში XX საუკუნის 50-იან წლებში მოქმედი სექტების საქმიანობა, რაოდენობა და მათი გააქტიურების მიზეზები.
20	განხილულია ქართული ენის სტატუსი XIX საუკუნესა და საბჭოთა რეჟიმის პერიოდში. ნაჩვენებია, როგორ ებრძოდა ბოლშევიკური ხელისუფლება ქართულს, როგორც სახელმწიფო ენას.
21	შესწავლილია ჰონკონგის ძველი და თანამედროვე ისტორია. დახასიათებულია დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში ჰონკონგის ყოფნის პერიოდი და XX საუკუნის ბოლოს ჩინეთის შემადგენლობაში მისი დაბრუნების კანონზომიერება.
22	კრიტიკულად განხილულია ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ელჩის მედოევის (რუსეთის ფედერაციაში) წიგნი, სადაც დამახინჯებულად არის გადმოცემული საქართველოს წარსული.
23	ნაშრომი ასახავს 1918 წლის ივნისიდან 1918 წლის ბოლომდე გერმანიაში ქართული დელეგაციის საქმიანობას, მათ გამოსვლებს რაიხსტაგსა და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების წინაშე, პუბლიკაციებს ევროპულ პრესაში დამოუკიდებელი საქართველოს პრობლემებზე და სხვ. საქართველოს დელეგაცია გაემგზავრა ბერლინში, სადაც რაიხსტაგში უნდა მომხდარიყო ხელშეკრულების რატიფიკაცია. ამასთან, სახელმწიფოს მეთაურებთან, მთავრობის წევრებთან გაფორმებულიყო თანამშრომლობის კონკრეტული პროგრამები. საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა აკაკი ჩხენკელი. დელეგაციაში შედიოდნენ ნიკო ნიკოლაძე, ზურაბ ავალიშვილი, სპირდონ კედია. ნაშრომი მთლიანად საარქივო დოკუმენტებს ეყრდნობა.
24	ნაშრომში დაბეჭდილია ევროპაში საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლის – რაფიელ ივანიცკი ინგილოს საიდუმლო წერილი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ამბროსის, 25. II. 1925 წელი, სადაც ნათქვამია: „თუ ათეისტურმა მმართველობამ ჩვენ პოლიტიკური სუვერენიტეტი წაგვართვა, ის მთავრობა, რომელიც მას მოჰყვება, უსათუოდ შეეცდება ეკლესიის ავტოკეფალიაც მოგვისპოს და ამისი საბუთები გვაქვს, რამდენადაც ვიცი, განწყობილება ჩვენი ეკლესიის თვითმყოფობისადმი იმ რუსული ელემენტებისა, რომელნიც, ძალიან მოსალოდნელია, რუსეთს ბოლშევიკების შემდგომ სათავეში ამოუდგებიან. სად უნდა ვეძიოთ სამართალი? ვინ უნდა დაიცვას ჩვენი ეკლესიის ინტერესი? ჩვენ თვითონ? ვფიქრობ, რომ ვერ შევძლებთ ამას! აღმოსავლეთის პატრიარქებით? თავისთავად ისინი არაფერს წარმოადგენენ. მათ თან სდევთ მხოლოდ ისტორიული შარავანდედი და ისიც არა ყველას! ფაქტიურად ისინი არაფრის გამკეთებელნი არიან, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მცირე და უმნიშვნელო არის ის ეკლესია-მორწმუნეთა კრებული, რაზედაც უნდა ემყარებოდეს მათი ძალა და გავლენა, ხოლო ყოვლად დიდია მნიშვნელობა რუსეთის ელესიისა, რომლის ნებისყოფისა და ზრახვების აღმსრულებელნი მუდამ

	ყოფილან აღმოსავლეთის მსოფლიო პატრიარქები და ეს ხდებოდა ძალაუნებურად, ვინაიდან სხვაფრივ შესაძლებელი ვერ იქნებოდა ამ პატრიარქებისათვის საეკლესიო პოლიტიკის წარმოება მსოფლიო მასშტაბით. ვშიშობ, რომ აღმოსავლეთის პატრიარქები ჩვენს მომავალ თავდაცვაში რუსეთის ეკლესიის არაკანონიკურ მიდრეკილებათა წინააღმდეგ ჩვენს მხარეზე ვერ დადგებიან. თვით რუსეთის ეკლესიას კი, მუნ საპატრიარქოს აღდგენის შემდეგაც შეხედულება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაზე არ შეუცვლია, რასაც ამოწმებს სხვათაშორის, თუნდაც ის ცნობილი რჩევა-დარიგება მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარხი ტიხონისა, რომელიც მან ჩვენი ეკლესიის მღვდელმთავრებს 1919 წელს გამოუგზავნა. – რა ვქნათ? სად არის ხსნა? ვის ძალუძს განამრთელოს საქართველოს ეკლესიის წყლულებანი? ვინ გამოვა ქომაგად და მფარველად ჟამსა გაჭირვებისასა? რა პირობებში შეიქმნება შესაძლებელი ჩვენი ეკლესიის არსებობის შენარჩუნება, მისი მდგომარეობის განმტკიცება, მისი ავტორიტეტის აღდგენა? მოგმართავთ ამ კითხვებით და დაბეჯითებით გთხოვთ შემატყობინოთ, თუ რა კეთდება, ასე ვთქვათ, უფლებრივ არსებობის სფეროში? როგორ და რა საშუალებით ჰფიქრობს ქართული ეკლესია გადაირჩინოს თავათ თავისი თავი? კიდევ ვიმეორებ, რა გზით არის შესაძლებელი საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის მოღვაწეობის განგრძობა? ეს საკითხი ჩვენთან ერთად ევროპის საეკლესიო წრეების გარკვეულ ნაწილსაც ფრიად აწუხებს და აფიქრიანებს. „კეთილადდგომა წმიდათა ღვთისათა ეკკლესიათა “ ყოველი ქრისტეს მსახურისათვის სანუკვარია და უკეთუ სახეში მივღებთ საქართველოს ეკლესიის ღვაწლმოსილ წარსულს, გასაგები უნდა იყოს ასეთი ინტერესი ჩვენდამი. ყველგან და ყველანი ლაპარაკობენ ჩვენი ეკლესიის სვებედის შესახებ, თვით ეს ეკლესია კი სდუმს. მას ეკუთვნის სიტყვა – ყველგან მისაწვდომი და გასაგონი“ [სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე309, ფურც. 5-6].
25	ნაშრომი ეხება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასა და ევროპული პოლიტიკური ორიენტაციის აღებას, ამ საკითხზე არსებულ შეუთანხმებლობას, აკაკი ჩხენკელის როლს ევროპული ორიენტაციის საკითხში, მის ბრძოლას კლასობრივი და პარტიული ნიშნით მთავრობის წევრების დაპირისპირების წინააღმდეგ.
26	წერილში, საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით, ნაჩვენებია 1924 წლის აჯანყების შესახებ საზღვარგარეთის პოლიტიკურ და ქართული ემიგრაციის წრეებში არსებული გამოხმაურებები, მათი განსხვავებული დამოკიდებულება აჯანყების შესახებ, დავა ამ საკითხის ირგვლივ. მოტანილია აკაკი ჩხენკელის, ნოე ჟორდანიას, კონსტანტინე გვარჯალაძის, ნოე რამიშვილის, ნოე ხომერიკისა და სხვების თვალსაზრისები, შეფასებულია მათი შეხედულებები. ქართული ემიგრაცია დიდ ყურადღებასაქცევდა სვანეთის, ხევსურეთის, კახეთისა და ქართლის აბოხებას, ჭიათურაში ნაადრევად დაგეგმილ გამოსვლას პროვოკაციად აცხადებდა. მთავრობის ყოფილი წევრები მოვლენებს სხვადასხვაგვარად აფასებდნენ.
27	პირველი დოკემენტი წარმოადგენს აჭარლების – ბათუმისა და ყარსის ოლქების მუსულმანთა დამცველი ჯგუფების მიმართვასრუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატის – აკაკი ჩხენკელისადმი. დოკუმენტი ეხება ე. წ. „მოღალატე აჭარლების“ საქმეს.ჩხენკელს თხოვდნენუდანასაულოდ დატყვევებულ პირთა შუამდგომლობას დუმაში და აწვდიდნენ მათი უდანასაულობის დამადასტურებელ არგუმენტებს. დოკუმენტი შედგენილი იყო რუსულენაზე, ითარგმნა ქართულად. მეორე დოკუმენტი ეხება II მსოფლიო ომში ტყვედ ჩავარდნილი ქართველების დახსნას და მათ ჩამოყვანას სამშობლოში. გემს თან ახლდა მწერალი კონსტანტინე გამსახურდია, რომელსაც ოფიციალურად ევალებოდა ტყვეების ზედამხედველობა.
28	წინამდებარე ნაშრომი ეხება საქართველო-ოსმალეთის 1919–1921 წლების ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს მომენტებს. დოკუმენტურ მასალაზე

	დაყრდნობით, მასში წარმოჩენილია: ა) ოსმალეთის ხელისუფლების მხრიდან საქართველოსთან მიმართებაში შეფარვით და ზოგჯერ აშკარად განხორციელებული ვერაგული პოლიტიკური გეგმის ის ძირითადი ნაწილი, რომელიც საქართველოს პირველი რესპუბლიკის ტერიტორიულად დანაკუწებას (სერვერ-ბეგის აჯანყება) ისახავდა მიზნად; ბ) წინა პლანზეა წამოწეული, საქართველოს დამოუკიდებლობისა და მისი სახელმწიფოებრიობის გასანადგურებლად, საბჭოთა რუსეთისა და ოსმალეთის ალიანსთან დაკავშირებული ძირითადი მომენტები. ამ ფონზეა შეფასებული, ჩრდილოეთისა და სამხრეთის „ვეშაპების“ პირისპირ მდგომი და ევროპისგან ზურგშექცეული საქართველოს პირველი რესპუბლიკის შესაძლებლობები.
29	წინამდებარე ნაშრომი მოიცავს სხვადასხვა დროს დაწერილი პოლემიკური ხასიათის წერილებს და რეცენზიებს, რომლებიც საქართველოს უახლესი ისტორიის აქტუალურ პრობლემატიკას ეხება და მკითხველ საზოგადოებას გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის ამა თუ იმ მნიშვნელოვანი ისტორიული პროცესებისადმი ავტორის დამოკიდებულების შესახებ.
30	1) რუსეთ-ოსმალეთის ინტერესების ურთიერთ დამთხვევამ და ამიერკავკასიის რეგიონში გაბატონებისათვის სწრაფვამ, საქართველოს სახელმწიფოს არსებობა საფრთხის ქვეშ დააყენა. მოსალოდნელი კატასტროფისგან დამზღვევი მექანიზმის შექმნის მცდელობა (ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის სამხედრო ძალების გაერთიანების იდეა) იმ ეტაპზე უშედეგო აღმოჩნდა. ამიერკავკასიის რეგიონის გარშემო შექმნილი უმძიმესი პოლიტიკური სიტუაციის არგათვალისწინებიდან გამომდინარე, სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლობამ რეგიონალური დაპირისპირების გზა აირჩია და საერთაშორისო კონფერენციებზე საქართველოს ტერიტორიების მიტაცების მცდელობით იყვნენ დაკავებულნი. ამ ფონზე, გარეშე ძალების მხრიდან მოსალოდნელ საფრთხეს ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ. 2) საბჭოთა რუსეთისა და ოსმალეთის დაფინანსებით საქართველოში მოქმედი ანტიქართული ორგანიზაციები, ახლადშექმნილი სახელმწიფოს წაქცევით და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევით იყვნენ დაინტერესებულნი. შესაბამისი მასალებით დადასტურებულია, რომ „სამუსლიმანო საქართველოში“ მათი მხრიდან დაგეგმილი გამოსვლები, სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ჩამოცილებაზე იყო გათვლილი. რამდენადაც საბჭოთა რუსეთი, საქართველოს წინააღმდეგ მებრძოლ პარტნიორს ოსმალეთში ხედავდა, მისადმი ფულითა და იარაღით დახმარება პირველხარისხოვან ამოცანად ქონდა დასახული. ამ ფონზე, და-სავლეთ ევროპის ქვეყნების ახლოაღმოსავლური წაჯექ-უკუჯექის „აბრუნდის“ პოლიტიკური კურსიდან გამომდინარე, საქა-რთველო ჩრდილოეთისა და სამხრეთელი მტაცებლების – რუსეთ-ოსმალეთის პირისპირ მარტოდ-მარტო აღმოჩნდა. ინგლისის დიპლომატიური წრეების ძალისხმევით, ოსმალეთის სახელმწიფოს გადარჩენამ (სერვის ხელშეკრულება) და რუსეთ-ოსმალეთის „მეგობრულ“ ფორმატში დაწყებულმა მოლაპარაკებებმა, საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის არსებობა კითხვითი ნიშნის ქვეშ დააყენა. 3) ევროპის სახელმწიფოებიდან შეპირებული დახმარების არმიღებამ და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად მხოლოდ ადგილობრივ რესურსებზე დაყრ-დნობამ, ქართული ჯარის რაოდენობრივად გაზრდისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნა შეაფერხა. ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მოსალოდნელი საფრთხეების გარდუვალობა, ქართულ პოლიტიკურ სპექტრს კარგად ქონდა გაცნობიერებული. მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით აშკარად გამოიკვეთა, რომ ევროპის ქვეყნებმა, საქართველოს სახელმწიფოს სამომავლო ბედის გადაწყვეტის გასაღები საბჭოთა რუსეთს გადასცა. დოკუმენტური მასალით დასტურდება, რომ ოსმალეთის მხრიდან „კეთილმეზობლობის“ შესახებ გაკეთებულ განცხადებებს, საქართველოს ხელისუფლება უნდობლად ეკიდებოდა და „სამუსლიმანო საქართველოსთან“ მიმართებაში მისგან პრეტენზიების მოხსნის გარანტად ოფიციალურ დოკუმენტს ითხოვდა. 4) ჩრდილოეთისა და სამხრეთის

	მეზობლების ოკუპაციისაგან ქვეყნის გადასარჩენად, საქართველოს დიპლომატიური კორპუსის მხრიდან რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. მაკიაველიზმის ნაცადი მეთოდების გამოყენებით და ოსმალეთთან 'მეგობრობის" გამყარების მოტივაციის ფონის შექმნით, სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ისტორიული ტერიტორიები საბჭოთა რუსეთმა სავაჭრო საგნად აქცია. საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედებების დაწყების შემთხვევაში, რუსეთისადმი ოსმალეთის არდაპირისპირების საფასურად, ამ უკანასკნელს არტაანისა და ართვინის ოკრუგების მისაკუთრების რეალური გარანტიები შესთავაზა.
31	ნაშრომში უცნობ მასალაზე დაყრდნობით შესწავლილია ცნობილი საზოგადო მოღვაწის კონსტანტინე გვარამაძის ღვაწლი სამხრეთ საქართველოს სიძველეთა გადარჩენის საქმეში.
32	მოსე ჯანაშვილის 160 წლისთავთან დაკავშირებით ნაშრომში წარმოჩენილია მისი მოღვაწეობა საეკლესიო მუზეუმის ფონდების გამდიდრებაში, სადაც იგი მუზეუმის დახურვამდე მუშაობდა.
33	ნაშრომში დღემდე უცნობ მასალაზე დაყრდნობით შესწავლილია რაფიელ ივანიცკი-ინგილოს ემიგრაციაში მოღვაწეობის პერიოდი. პირველად ქვეყნდება მისი წერილები რომის პაპის, კენტერბერიელი არქიეპისკოპოსისადმი და ერთა ლიგისადმი ბოლშევიკების მიერ დევნილი საქართველოს ეკლესიის უფლებების და მისი მწყემსმთავრის ამბროსი ხელაიას უფლებების დაცვისათვის.
34	ნაშრომში უცნობ საარქივო მასალაზე დაყრდნობით შესწავლილია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლეონიდე ოქროპირიძის შეხედულება თავისუფლებაზე და მისი მიმართება რელიგიის მიმართ.
35	ნაშრომში პირველად ქვეყნდება უშიშროების არქივში ჩვენს მიერ გამოვლენილი მასალა, რომელიც ეხება მე-19-20 - საუკუნის დასაწყისში თუ როგორ შლიდნენ სომხები სამხრეთ საქართველოში ეკლესია-მონასტრებზე არსებულ ქართულ წარწერებს და მათ ნაცვლად ტაძრების მითვისების გამო სომხურ წარწერებს აკეთებდნენ.
36	სტატიაში შესწავლილია ბაგრატიონთა შიდადინასტიოური ბრძოლის ისტორია და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა საქართველოში მე-18 საუკუნეში. დადგენილია, რომ ქართლის მეფეების ვახტანგ მეექვსისა და იესე პირველის შთამომავლები მე-18 საუკუნის 30-იანი წლებიდან 80-იანი წლების დასაწყისამდე ცდილობდნენ თავიანთი კუთვნილი სამეფო ტახტის დაბრუნებას. ამის გამო, მათ ხანგრძლივი დაპირისპირება და ბრძოლა მოუხდათ ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის კახეთის შტოს წარმომადგენლებთან - თეიმურაზ მეორესა და ერეკლე მეორესთან, რომლებმაც შეძლეს შეენარჩუნებინათ ქართლი. აღნიშნულმა ბრძოლამ თავისი კვალი დააჩნია თანადროულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას საქართველოში.
37	სტატიაში შესწავლილია ქართულ-ებრაული ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ერთ-ერთი უაღრესად საყურადღებო ეპიზოდი, რაც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, გერმანიის მიერ ოკუპირებულ ევროპის სახელმწიფოებში მოხდა. კერძოდ, ქართული ემიგრაციის მემარჯვენე-რადიკალურმა ნაწილმა, რომელიც გერმანიის იმდროინდელ ხელისუფლებასთან თანამშრომლობდა, უდიდესი ძალისხმევით შეძლო ფიზიკური განადგურებისაგან ეხსნა ქართველი ებრაელების ის ნაწილი, რომელიც ნაცისტების ტყვეობაში აღმოჩნდა.
38	სტატიაში შესწავლილია ირანის უკანასკნელ სამეფო დინასტიასთან - ფაჰლავიანებთან (ანუ ფეჰლევიდებთან) ურთიერთობაში მყოფ ქართველთა ისტორია. დადგენილია, რომ ხსენებული დინასტიის წარმომადგენელ ორ მონარქთან - რეზასთან ან

	მის ვაჟთან - მოჰამად რეზასთან საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა ან შეხება ჰქონდათ ქართველებს, რომელთა შორისაც იყვნენ: ბიზნესმენები და მეცენატები (აკაკი ხოშტარია), ინჟინრები (პოლკოვნიკი ივანე ვარაზაშვილი), სპორტსმენები (გიორგი ჩაგუნავა, ლევან თედიაშვილი) და სხვები.
39	სტატიაში შესწავლილია თუ როგორ აისახა ვახტანგ მეექვსის მოღვაწეობა როგორც თანადროულ, ასევე მომდევნო ხანის საზოგადოებრივ აზროვნებაში საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც. ვინაიდან ზემოხსენებული საკითხი ამომწურავი შესწავლა მხოლოდ მონოგრაფიაში თუ მოხერხდება, ამ ნარკვევში ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტზე.
40	სტატიაში საუბარია საქართველოში ებრაელთა პირველ ჩამოსახლებაზე, მათ ყოფაზე და ქართველებთან ოდინდელ კავშირ-ურთიერთობაზე; მათ მიერ ქართული ენის გათავისებაზე და ყველაფერ ქართულისადმი ერთგულებაზე და ა.შ. ყოველივე ამის შესახებ დამაჯერებლად იყო მოთხრობილი ზ. ჭიჭინაძის წიგნში, რომელიც XX ს-ის დასაწყისში მიიღო ქართველმა მკითხველმა. ნაშრომმა მაშინვე დიდი მოწონება დაიმსახურა როგორც ქართველ, ისე ებრაულ მოსახლეობაში.
41	სტატიაში ყურადღებაა გამახვილებული რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში ქართველი დეპუტატის, სოც-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, ევგ. გეგეჭკორის გამოსვლაზე, რომელმაც საქვეყნოდ დაგმო ის კოლონიზატორული პოლიტიკა, რომელსაც რუსეთის წმინდა სინოდი იჩენდა საქართველოს ეკლესიის მიმართ და საეკლესიო კანონების დარღვევით ანხორციელებდა ქარტველი მრევლის შევიწროვებას, მისი ეკლესია-მონასტრების ნგრევას, მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვის ჩატარებას და ა.შ. იგი მადლიერებით მოიხსენიებდა რუსი მოღვაწის, ნიკოლოზ დურნოვოს მამხილებელ ნაშრომებს, მიმართულს რუსეთის წმ. შინოდის კურსის წინააღმდეგ.
42	სტატიაში საუბარია იმ ქართველ დეპუტატებზე (პროკოფი შერვაშიძე, კონსტ. კანდელაკი, აკაკი ჩხენკელი), რომლებიც არჩეული იყვნენ ბათუმის ოლქიდან და სოხუმის ოკრუგიდან რუსეთის I, III და IV სახელმწიფო სათათბიროებში და ძალ-ღონეს არ იშურებდნენ თავიანთი ამომრჩევლების საჭირბოროტო საკითხების წარმოსაჩენად. განსაკუთრებით აღსანიშნავია დეპუტატ აკაკი ჩხენკელის გამოსვლა 1912 წლის აჭარის მაჰმადიანი ქართველების ინტერესების დასაცავად.
43	არტურ კანინგეიმი (1812-1884) ავტორია წიგნისა „მოგზაურობა აღმოსავლეთ კავკასიაში, კასპიისა და შავ ზღვებზე, განსაკუთრებით დაღესტანში და სპარსეთისა და თურქეთის საზღვრებზე 1871 წლის ზაფხულში“ (ლონდონი, 1872). იგი საქართველოში იმყოფებოდა დიდი მთავრის მიხეილის მმართველობისას. მან დაგვიტოვა საინტერესო ცნობები თბილისის მდგომარეობის, მისი უბნების, ვაჭრობის, მუზეუმის, ოპერის და სხვათა შესახებ; აგრეთვე გვაცნობს მაღალი თანამდებობის მოხელეებს – კავკასიის მეფისნაცვალს მიხეილ ნიკოლოზის ძეს, ბარონ ნიკოლაის (მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსს), ინფანტერიის გენერალ მირსკის (ქუთაისის ყოფილ გენერალ-გუბერნატორს), გუსტავ რადდეს (გერმანელ მეცნიერს, კავკასიის მუზეუმის აღმდგენელს) და სხვა. ჩვენ წარმოვადგინეთ გერმანული ტექსტის თარგმანი და კომენტარები.
44	ეს დოკუმენტი ეხება ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ლოიდ ჯორჯისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის შეხვედრას 1920 წლის 10 დეკემბერს. დოკუმენტი გვაწვდის საყურადღებო ინფორმაციას საქართველოში და საერთოდ კავკასიაში 1920 წელს შექმნილი ვითარების შესახებ. ჩვენ მოვიტანეთ დოკუმენტის როგორც ინგლისური ტექსტი, ისე მისი ქართული ჩვენეული თარგმანი.
45	დოკუმენტის ტექსტი დაცულია ქ. ლონდონში, ბრიტანეთის ნაციონალურ არქივში. ჩვენ წარმოვადგინეთ ინგლისური დედანი ქართული თარგმანითა და კომენტარებით. დოკუმენტში გადმოცემულია ქართველი პატრიარქისა და

	სამღვდელო პირთა სასამართლო პროცესი, რომელიც მიმდინარეობდა თბილისში, ნაძალადევის მუშათა თეატრში 1924 წლის 10-19 მარტს, მობილიზებული ეგზალტირებული მუშებისა და პოლიტკულტელების სკანდირების თანხლებით – „სამშობლოს მოღალატეები“, „ანაფორიანი აგენტები“.
46	სტატიაში მიმოხილულია გერმანელი მოგზაურების ნაშრომები, რომლებიც იმყოფებოდნენ საქართველოში 1770 წლიდან მე-19 საუკუნის შუა ხანებამდე (გიულდენშტედტი, რაინეგსი, კლაპროტი, აიხვალდი, ვაგნერი, ჰაქსტჰაუზენი). სტატიაში განხილულია ამ მოგზაურთა მიზნები და ამოცანები, მათი ურთიერთობები ადგილობრივ მმართველობასთან; წარმოჩენილია მათ მიერ დეტალურად აღწერილი ადგილობრივი ცხოვრების ყველა მხარე. ვეხებით მოგზაურთა მიერ ტერმინ „გეორგიას“ ხმარებას. აღვნიშნავთ, რომ არც ერთი მოგზაური არ ხმარობს ტერმინს „სამხრეთ ოსეთი“, თუმცა იციან მათი განსახლება მდინარეების ლიახვის, ქსნისა და ფრონეს ზემო დინებებში, ისინი მხოლოდ „ქართლზე“ საუბრობენ.
47	ნაშრომში აღნიშნულია, რომ ემიგრაციაში მყოფი საქართველოს ეროვნული მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა გაებათილებინა რუსეთის ხელისუფალთა ცრუ განცხადებები საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე. საქართველოს ეროვნული მთავრობა პარიზში დაბინავდა. საფრანგეთის ხელისუფლებამ, პარიზში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ლეგაცია, 1933 წლამდე შეინარჩუნა. რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლება ცდილობდა თავისი ნაცადი დიპლომატიური ხრიკებით ერთმანეთისთვის გადაეკიდებინა ევროპის სახელმწიფოები. საფრანგეთის ხელისუფლებას, რომელიც მაშინ რუსეთის მკაცრი კრიტიკით გამოდიოდა, რუსეთის მიმართ ორჭოფული პოზიცია ეკავა. თავის მხრივ, რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლება ცდილობდა დაეყოლიებინა საფრანგეთის მთავრობა, რისთვისაც მას ჰპირდებოდა ვალების ცნობას, ძველი მეგობრობის განახლებას, კავკასიის და სპარსეთის ნავთის საბადოებში წილის მიღებას და ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვაზე დროებით გაჩუმებას. რაიმონ პუანკარე (1860-1934 წ.წ.) ცნობილი ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე და პოლიტიკური ფიგურა იყო. რ. პუანკარეს პრეზიდენტობა პირველი მსოფლიო ომის პერიოდს დაემთხვა. რ. პუანკარეს ეჭვის თვალით უყურებდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, რომელიც რუსეთში სახელმწიფო გადატრიალებისთვის ემზადებოდა. რაიმონ პუანკარეს საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხთან დაკავშირებით მკვეთრი პოზიცია ეკავა. გენუის კონფერენციის წინ, მან ცალსახად განაცხადა: „შეუძლებელია საქართველოს სახელით, რომლის დამოუკიდებლობა „დე იურე“ ცნობილია წამყვანი სახელმწიფოების მიერ და რუსეთმა იგი ძალის გამოყენებით დაიპყრო, გენუის კონფერენციაზე ისაუბროს ამ ძალის წარმომადგენელმა“. მან ოფიციალური ინსტრუქცია მისცა გენუის კონფერენციაზე საფრანგეთის დელეგაციის მეთაურს - ლუი ბარტუს, დაეცვა საქართველოს ეროვნული მთავრობის ინტერესები და არ დაეშვა, რომ გენუის კონფერენციაზე, საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელს ქართველი ხალხის სახელით ელაპარაკა. ნაშრომში ხაზგასმულია, რომ ემიგრაციაში მყოფი საქართველოს ეროვნული მთავრობის ძალისხმევის მიუხედავად, საქართველო მრავალი ათეული წლის მანძილზე რუსეთის იმპერიული პოლიტიკის მსხვერპლად რჩებოდა. ქართული ემიგრაცია კვლავ აქტიურად აგრძელებდა ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის. საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერა და ევროინტეგრაციის კურსი დღევანდელი საქართველოს უმთავრეს გზად რჩება, რადგან საქართველოს ტერიტორიების 20% დღემდე უკანონოდ არის ოკუპირებული რუსეთის ჯარების მიერ.
48	ნაშრომში აღნიშნულია, რომ 1921 წელს საქართველოში რუსული არმიის შემოჭრის შემდეგ, ქვეყნის იძულებითი გასაბჭოება მოხდა. საქართველოში, 1921 წლის თებერვლიდან, საბჭოთა რუსეთში 1917-1921 წლებში მიღებული კანონების

	გადმოღება აქტიურად დაიწყო. 1921 წლის 14 აპრილს, მიიღეს საქართველოს რევკომის დეკრეტი №21 „სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის შესახებ“. საბჭოთა ხელისუფლებამ ბრძოლის იარაღად გამოაცხადა ლოზუნგები: „ძირს გონების დამაჩლუნგებელი ტაძრები, გაუმარჯოს მასში განათლების ტაძარს“, „გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას, რომელიც ებრძვის ყოველგვარ ცრუმორწმუნეობას და ბოროტმოქმედებას“, „ძირს მატყუარა სამღვდელოება და მათი კონტრრევოლუციური ბუდე“, „გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, ძირს სარწმუნოება და მისი დამქაშები“. აღნიშნული კანონები ქართული სინამდვილისთვის სავსებით მიუღებელი იყო. ბოლშევიკების შეფასებით, სამღვდელოება ფეოდალური წყობილების გადმონაშთად მიიჩნეოდა. ისინი ეკლესიების მასობრივი დახურვის შესახებ, დადგენილებებს აქტიურად იღებდნენ. ყოფილი ეკლესიის შენობებში კი კლუბები, სკოლები, ასევე, სამკითხველოები იხსნებოდა. დაახლოებით ერთ წელიწადში, საქართველოში 1212 ეკლესია დაიხურა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე დღეებიდან, სამღვდელო პირთა მიმართ სასტიკი რეპრესიები დაიწყო. 1922 წლის 13 ივნისს, „ჩეკა“-ს თავმჯდომარემ - კოტე ცინცაძემ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი – ამბროსი ხელაია დაკითხვაზე დაიბარა, რადგან მან წერილი გაუგზავნა გენუის საერთაშორისო კონფერენციას, რომელშიც წითელი არმიის მიერ საქართველოს დაპყრობა და ძალდატანებითი გასაბჭოება ამხილა. ნაშრომში ხაზგასმულია, რომ ბოლშევიკური სტერეოტიპებისგან საზოგადოებრივი აზროვნების გათავისუფლებას ათეული წლები დასჭირდა. 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის და საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის შემდეგ, შესაძლებელი გახდა საქართველოსთვის თავდადებული სასულიერო პირების ღვაწლის დაფასება.
49	ნაშრომში აღნიშნულია, რომ 1921 წლის თებერვალ-მარტში, რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლების წითელი არმიის მიერ, საქართველოს ტერიტორიის ანექსია-ოკუპაციის შემდეგ, ქართველ ხალხს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ბრძოლა არ შეუწყვეტია. საქართველოს ჰელსინკის ჯგუფის მოღვაწეობა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელი ნაწილია. ნაშრომში აღნიშნულია, რომ 1975 წლის 1 აგვისტოს, ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში, 35 სახელმწიფოს – ევროპის ქვეყნების, ასევე, ამერიკის შეერთებული შტატების და კანადის წარმომადგენლებმა, ხელი მოაწერეს უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას, რომელმაც საერთაშორისო ცხოვრებაში ახალ ერას ჩაუყარა საფუძველი. ჰელსინკის დეკლარაციას საბჭოთა კავშირიც შეუერთდა. ჰელსინკის თათბირის დასკვნითი აქტი, ქვეყნებს ადამიანის უფლებების დაცვისკენ მოუწოდებდა. დასავლეთის ქვეყნების მეთაურთა მიზანი, ცივი ომის დაძაბულობის განმუხტვა იყო, ხოლო საბჭოთა კავშირის ლიდერებს საზღვრების განმტკიცების გარდა, ეკონომიკური ინტერესებიც ჰქონდათ. საბჭოთა კავშირში, ადამიანის უფლებათა დარღვევები, რეპრესიები და საკუთარი მრწამსის გამო დაპატიმრებები, განსაკუთრებით მას შემდეგ გაძლიერდა, რაც საბჭოთა მთავრობამ ჰელსინკის შეთანხმებას მოაწერა ხელი. სამოცდაათიანი წლების მიწურული და ოთხმოციანი წლების პირველი ნახევარი, საბჭოთა ხელისუფლების ანტიჰელსინკური მოქმედებით ხასიათდებოდა. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, შენიღბულად მილიციის სახელით მოქმედებდა და სხვადასხვა პროვოკაციებს მიმართავდა: აპატიმრებდა, ხოლო შემდეგ შეთითხნილი ბრალდებებით, ვითომდა ხულიგნობის, ქურდობის გამო, სისხლის სამართლის დამნაშავეთა ბანაკებში გზავნიდა სინდისის პატიმრებს. საბჭოთა უფლებათა დამცველები თავისსავე მიღებულ კანონებს უგულვებელჰყოფდნენ. საქართველოში, ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი, მიზნად ისახავდა ადამიანის უფლებათა დარღვევების გამოვლენას და მხილებას, ასევე, სინდისის პატიმრების, კულტურის ძეგლთა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დაცვას სუკ-ის (საქართველოს

	უშიშროების კომიტეტი) შემოტევისგან. ისინი ხელს უწყობდნენ სხვადასხვა უფლებრივი დოკუმენტების და აკრძალული წიგნების პოპულარიზაციას. ნაშრომში ხაზგასმულია, რომ ჰელსინკის დეკლარაციის მუხლები, თითქმის მის ხელმომწერ ყველა ქვეყანაში ირღვეოდა. აღმოსავლეთ ევროპის, ასევე, სსრ კავშირის მოქალაქეებისთვის ჰელსინკის ხელშეკრულებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან იგი ადამიანის უფლებათა გაუმჯობესების იმედს იძლეოდა. თავის მხრივ, ევროპული ჰელსინკის ორგანიზაციები აკონტროლებდნენ ჰელსინკის ხელშეკრულებათა დაცვას თავიანთ ქვეყნებში.
50	ნაშრომში აღნიშნულია, რომ საბჭოთა რუსეთს და ქემალისტურ ოსმალეთს მსოფლიო ომის შემდეგ, საერთო მიზანი გაუჩნდათ: ბრძოლა გამარჯვებულ სახელმწიფოთა კავშირის ანუ ანტანტის წინააღმდეგ. პირველი ებრძოდა მათ სამხრეთ რუსეთში – თეთრგვარდიელთა ფრონტზე; მეორე – მცირე აზიაში, ბერძნების მიერ გაშლილ ფრონტზე. ამ საერთო ინტერესების გაჩენამ, საბჭოთა რუსეთს და ქემალისტურ ოსმალეთს საერთო ინტერესები შეუქმნა. რუსეთი, ოსმალეთის ხელისუფლებას, სერიოზულ დახმარებას უწევდა და საქართველოს წინააღმდეგ მოსალოდნელი ომის დაწყების შემთხვევაში, მასში საიმედო პარტნიორს ხედავდა. თურქ ნაციონალისტებსა და ბოლშევიკებს შორის პირველ კონტაქტებს ადგილი ჯერ კიდევ 1919 წლის მაისში ჰქონდა, დასავლეთ ანატოლიაში ბერძნული სადესანტო ჯარის გადასხმის შემდეგ. მუსტაფა ქემალის თანამებრძოლი, ჰუსრევ ბეი, 7 ივნისს, აღმოსავლეთის ფრონტის მეთაურის ქიაზიმ ყარაბექირისადმი, გაგზავნილ წერილში, მოითხოვდა კავკასიის ბოლშევიზაციას და ოსმალეთში საბჭოთა ხელისუფლებისთვის ხელსაყრელი რეჟიმის დამყარებას. 1921 წლის 16 მარტს, იმ დღეს, როცა ბათუმში ჯერ კიდევ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იმყოფებოდა, მოსკოვში, თურქებმა და რუსებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის მეორე მუხლით, თურქეთი უთმობს საქართველოს თავის სუვერენულ უფლებებს ბათუმზე. კონსტანტინოპოლში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელი აქტიურად მუშაობდა, რათა გაექარწყლებინა იქ მყოფი რუსეთის ბოლშევიკური მთავრობის წარგზავნილის – კ. მოდებაძის ცრუ ინფორმაციები. კ. გვარჯალაძე უშუალოდ ხვდებოდა ოსმალეთში მყოფ საბერძნეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ფინეთის, სპარსეთის, იაპონიის და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებს და ზუსტ ცნობებს აწვდიდა მათ ბოლშევიკურ საქართველოში არსებულ ვითარებაზე და ქართველი ხალხის რეალურ განწყობაზე. უცხოეთის სახელმწიფოთა მეთაურები თანაგრძნობით უყურებდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხს. მიუხედავად, ამისა, საქართველო ათეული წლების მანძილზე საბჭოთა რუსეთის შემადგენელ ნაწილად რჩებოდა.
51	XVIII საუკუნის 80-90-იან წლებში, ქართლ-კახეთის სამეფოში შექმნილი საშინაო და საგარეო პოლიტიკური ფონიდან გამომდინარე, ცენტრალურ ხელისუფლებაში აშკარად გამოიკვეთა მძიმე კრიზისული ვითარება, რომლის ლოგიკურ შედეგიც სამეფო სახლის შიგნით არსებული განხეთქილება გახდა. ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, არსებული პრობლემის შემდგომი გაღრმავების თავიდან ასაცილებლად 1791 წ. ერეკლე II-მ შეადგინა საგანგებო დოკუმენტი, რომელსაც ანდერძის დანიშნულება მიანიჭა, ისტორიაში კი ეს უკანასკნელი "განწესებათა" სახელით მოიხსენიება. დღეისათვის არსებული დოკუმენტური მასალის ანალიზის საფუძველზე სტატიაში გამოთქმულია მოსაზრებები "ანდერძის" ავთენტურობისა და მისი ანულირების საკითხებთან დაკავშირებით.
52	სრულიად მართლმადიდებელთა როდოსის თათბირები 1961-1964 წლებში სამჯერ გაიმართა. მათ ამოცანას წარმოადგენდა მართლმადიდებელი ეკლესიის კრებისწინა თათბირზე განსახილველი საკითხების ნუსხის შემუშავება, ქრისტიანულ სამყაროსთან ურთიერთობის გზების განსაზღვრა.

	როდოსის I თათბირის მზადების პერიოდში რუსეთის პატრიარქ ალექსისა და მსოფლიო პატრიარქ ათინაგორას შორის მიმოწერისას აღმოჩნდა, რომ მსოფლიო პატრიარქს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა. რუსეთის პატრიარქის მიერ მსოფლიო პატრიარქისათვის მიწოდებულ ცნობაში აღიარებულია საქართველოს ეკლესიის ადრინდელი (V–XVIII სს.) და 1917 წელს აღდგენილი ავტოკეფალია. როდოსის თათბირებზე საქართველოს ეკლესია ავტონომიურ ეკლესიათა შირის იყო დასახელებული. I და II თათბირს საქართველოს წარმომადგენელი არ დასწრებია. III შეკრების დროს, 1964 წელს ეპისკოპოსმა ილია შემოქმედელმა (შიოლაშვილი) საქართველოს ეკლესიის უფლებათა დამცრობის გამო სიტყვიერი და წერილობითი პროტესტი განაცხადა. პროტესტის უშედეგობის გამო სრულიადმართლმადიდებელთა მომდევნო თათბირში საქართველოს ეკლესიას მონაწილეობა აღარ მიუღია. კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებისათვის 1990 წელს წარმატებით დამთავრდა, მაგრამ დიპტიქში საქართველოს ეკლესიის ადგილის განსაზღვრა მომავლის საქმედ რჩება.
53	საქართველოსა და დაღესტნის კულტურულ ურთიერთობებში ალექსანდრე როინიშვილს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.როინიშვილი დაღესტანში 1881-1889 წლებში იმყოფებოდა. დაღესტნის თემატიკაზე მან საკმაოდ მდიდარი ფოტოკოლექცია შექმნა. იგი არქეოლოგიურ გათხრებსაც ატარებდა დაღესტნის მთიანეთში და აქ ქართულენოვან წარწერებს, ქრისტიანულ სიძველეებსა და ნუმიზმატიკურ მასალას მიაგნო, რომელთა მეშვეობითაც დაამტკიცა, რომ ძველად დაღესტანი შედიოდა საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული გავლენის სფეროში. ალექსანდრე როინიშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დაღესტნის ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესწავლის საქმეში. მან დღიურების სახით წერილობითი წყაროებიც დატოვა. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს 1885 წელს თემირ-ხან-შურაში ალექსანდრე როინიშვილის მიერ „კავკასიის მუზეუმის“ დაარსება, რომელიც ერთი წლის შემდეგ მოძრავ მუზეუმად გადააკეთა. 1886 წელს როინიშვილმა თავისი მუზეუმით იმოგზაურა ქალაქებში: ასტრახანში, ყაზანში, მოსკოვსა და პეტერბურგში.დაღესტანში როინიშვილის მრავალმხრივ მოღვაწეობაში განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი დაუღალავი ძალისხმევა დაღესტნის საგანძურის გადასარჩენად. ალექსანდრე როინიშვილისგარდაცვალების შემდეგ (1898 წლის 11 მაისი) მის მიერ გადაღებული ფოტოსურათების მნიშვნელოვანი ნაწილი (მათ შორის დაღესტნის თემატიკაზე შექმნილი ფოტოები) გაიფანტა სხვადასხვა არქივებსა და კოლექციებში და დღევანდლამდე სხვა ფოტოგრაფთა ნამუშევრებად მიიჩნევა.
54	ნაშრომი წარმოადგენს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავარსარდლის გენერალ გიორგი კვინიტაძის რადიოინტერვიუს პუბლიკაციას, რომელიც მან რადიო „თავისუფლების“ ქართულ რედაქციას მისცა, 1968 წლის მაისში, საქართველოს დამოუკიდებლობის 50 წლისთავთან დაკავშირებით. ინტერვიუს აუდიო ჩანაწერი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. გიორგი კვინიტაძის ინტერვიუ საინტერესო წყაროა საქართველოს უახლესი ისტორიის კვლევით დაინტერესებულ მკვლევართათვის. ინტერვიუში გიორგი კვინიტაძე იხსენებს საქართველოს დამოიკიდებლობის გამოცხადების პერიოდს, იმ ფაქტებს, რომელმაც დიდი გავლნა მოახდინა მასზე, ასევე ცდილობს დაასაბუთოს, რომ საქართველო ევროპული სახელმწიფოა და არა აზიური.
55	სტატიაში განხილულია საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი რთული და მრავალმხრივი პერიოდის ეროვნული მოძრაობის ძირითადი საკითხები. ნაჩვენებია რა როლი ითამაშა და რა გზა განვლო ქართველმა ერმა ცნობიერების ცვლილების თვალსაზრისით.

56	სტატიაში ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე გაანალიზებულია სივრცის მნიშვნელობა რელიგიური იდენტობის ჩამოყალიბებაში და სივრცისადმი დამოკიდებულების პრობლემეა იძულებით გადაადგილებული მოსახლეობი მაგალითზე.
57	ზ. ჭიჭინაძემ შეისწავლა ძველი ქართული მედიცინის ისტორია და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მედიცინის ისტორიის კვლევის საქმეში. სტატიაში განხილულია განხილულია მისი ცნობები და შეხედულებები ტრადიციული ქართული მედიცინის შესახებ და მისი ხელნაწერი " ქართული სამკურნალო მწერლობა. ისტორია ქართული მკურნალობისა უძველესი დროიდამ", თფ. 1917. რომელშიც იგი ქართული მედიცინის განვითარების რამდენიმე ეტაპს წარმოგვიდგენს.
58	სტატიაში განხილულია ადამიანის ეკოლოგიის ხალხური ტრადიციების კვლევის შედეგები საქართველოში. ადამიანისადმი (ბავშვისადმი) საზოგადოების დამოკიდებულების საკითხი და სხვ.
59	მოცემული საკითხი, როგორც ჩვენთვისაა ცნობილი, ეთნოლოგების მიერ, რელიგიის ისტორიის კუთხით არ გამოკვლეულა. ჩვენი ნაშრომი საკითხის ამ კუთხით შესწავლის მცდელობაა. ნაშრომში შევეცადეთ გაგვერკვია თუ რა მითო – რელიგიური სურათია გადმოცემული „მზე შინას", „მზე ჩაღმა ჩავიდა", „მზე და მთვარე" და „ზეცას ვიყავ, ზეცა ვნახე", ბატონების ნანასა და მათ ფოლკლორულ ვარიანტებში. რატომ იყო „მზე შინა" ისეთი პოპულარული სიმღერა, რომ მისი ქალაქური ვარიანტიც კი შეიქმნა? ჩვენამდე მოღწეული ცნობების მიხედვით, რატომ იმღერებოდა იგი სამეგრელოში ქართულად და სვანეთში სვანურად, ანდა შერეული ქართული სიტყვებით? რატომაა, რომ იგი ქართული ფოლკლორის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი, პოპულარული და მრავალ კუთხეში გავრცელებული ნიმუშია.
60	ნაშრომში განხილულია ალილოსა და ჭონას რიტუალების ურთიერთკავშირი და მათში შემორჩენილი წინაქრისტიანული და ქრისტიანული ფენები.
61	ნაშრომში განხილულია, რომ იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობაში (ცხინვალის რეგიონი) კვლავ მიმართავენ მკურნალობის ტრადიციულ მეთოდებს. ძირითადად შენარჩუნებულია მკურნალობის მაგიურ-რელიგიური პრაქტიკა, რასაც ფსიქოთერაპიული ეფექტი განაპირობებს (შელოცვით მკურნალობა). ბუნებრივია, დევნილობის პერიოდში აღნიშნული პრაქტიკა კვლავ გააქტიურდა.
62	სტატიაში დაწვრილებითაა შესწავლილი XV საუკუნის დოკუმენტის მონაცემები "სვანეთის მთიულეთში" არსებული ეკლესია-მონასტრების, მათში დაუნჯებული საგანძურისა და ციხესიმაგრეების შესახებ.
63	სტატიაში სამეცნიერო ლიტერატურისა და საველე მასალის საფუძველზე განხილულია განხილულია ქვემო ქართლში მიმდინარე ეთნოსოციალური პროცესები. ყურადღება გამახვილებულია პოლიეთნიკური რეგიონისთვის ამ კუთხით დამახასიათებელ პრობლემებზე.
64	სტატიაში დაჯგუფებულია ყანსავ ყიფიანის შესახებ არსებული ლეგენდები, გადმოცემები, სიმღერები, ფერხული. გაანალიზებულია თვითეულ მათგანში მოთხრობილი ისტორიები და ეს მასალა შედარებულია თანამედროვე ეთნოგრაფიული კვლევით (2010-2015) მოძიებულ ინფორმაციას. დაკონკრეტებულია ყანსავ ყიფიანის გმირობსა და საზოგადოებრივი ღვაწლის ამსახველი ინფორმაცია. გამოვლენილია მის ცხოვრებასთან დაკავშირებული გეოგრაფიული პუნქტები: მისი რეზიდენცია, კარის ეკლესია, ყიფიანთა სასაფლაოები, სხვადასხვა საგუშაგო კოშკები. ნაშრომი შესრულებულია ისტორიული ეთნოლოგის კვლევის ფარგლებში და ყანსავ ყიფიანის ლეგენადრული სახე წარმოდგენილია ისტორიის რეპრეზენტაციის ერთ-ერთ

	მნიშვნელოვან სეგემენტად სვანეთის ყოფაში.
65	სტატაიაში წარმოდგენილია თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში მოქცეული მაწახლის ზემო ნაწილის ისტორია და ეთნოგრაფიული ვითარება. აღწერილია ზემო მაწახლის გეოგრაფია, მოკლე ისტორია, თანამედროვე სურათი: თემთა და სოფელთა დაკონკრეტებით. მოთხრობილია ადგილობრივ საგვარეულოთა საგვარეულო ისტორიები, და დაკონკრეტებულია მათი განსახლების არეალი. ვრცლად აღწერილია ისტორიული მახსოვრობის ფაქტები.
66	სტატიაში მოთხრობილია თურქეთში მოღვაწე მეცნიერისა და მთარგმნელის ჰაირი ჰაირიოღლუს (ვახტანგ მალაყმაძის) ცხოვრებისა დ ამოღვაწეობის ერთიასპეტი: მისი დამოკიდებულება საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიათნ და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, უწმიდესთან და უნეტარესთან ილია მეორესთან. ნაშრომი ეყრდნობა ვახტანგ მალაყმაძის პირად არქივში არსებულ დოკუმენტებსა და წერილებს, აგრეთვე, ეთნოგრაფიული კვლევითშეკრებილ ინფორმაციას.
67	სტატიაში წარმოდგენილია და თემატურად დაჯგუფებულია ლამპრობის ტრადიციების საქართელოში. გამოვლენილია, რომ ლამპრების ანთების წესი და ლამპრებით ლიტანიობა დამახასიათებელი იყო საქარტველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარისათვის. გამოვლენილია ლამპრობის ორი ვარიაცია: ერთი, მირქმის დღესასწაულის ამსახველი, ხოლო მეორე - უძღების კვირის დღეობა, ამჟამად მიძღვნილი წმიდა გიორგისადმი. გაანალიზებულია ვრცელი სამეცნიერო ლიტერატურა და წყაროები.
68	სტატიაში დაჯგუფებულია წმიდა გიორგისთან დაკავსირებული სვანეთში არსებული ლეგენდები, გადმოცემები, საგალობლები, სიმღერები, ფერხული. გაანალიზებულია უკვე არსებულ ეთნოგრაფიულ ჩანაწერებში დაცული ინფორმაცია და ეს მასალა შედარებულია თანამედროვე ეთნოგრაფიული კვლევით (2010-2015) მოძიებულ ინფორმაციას. დაკონკრეტებულია წმიდა გიორგის, როგორც მოწამისა და როგორც ქართველთა მფარველი გმირის ხატებები. გამოვლენილია სვანეთის ტრადიციულ ყოფაში, სვანების ისტორიულ მახსოვრობაში შემონახული გადმოცემების გეოგრაფიული სივრცე, რომლებშიც დაკონკრეტებულია წმიდა გიორგის მეოხებითა და დახმარებით მიღწეული გამარჯვებები და კონკრეტული გეოგრაფიული პუნქტები. ნაშრომი შესრულებულია ისტორიული ეთნოლოგის კვლევის ფარგლებში და წმიდა გიორგის ხატება წარმოდგენილია ისტორიის რეპრეზენტაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სეგემენტად სვანეთის ყოფაში.
69	ნაშრომში აღწერილია კვირიკობის ხალხური დღესასწაული („ლიგურკე“) სვანეთში. გამოვლენილია დღეობის მასშტაბურობის განმაპირობებელი ფაქტორები. მოთხრობილია დღესასწაულის მენეჯმენტისა და მიმდინარეობის ამსახველი ეთნოგრაფიული მასალა.
70	გივი ელიავა მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დამაარსებელი და მრავალი წლის განმავლობაში მისი დირექტორი გახლდათ. გარდა სამუზეუმო საქმიანობისა ის აქტიური ეთნოგრაფიული, საველე სამუშაოებსაც აწარმოებდა და ამ მხრივ საკმაოდ მოცულობით ინფორმაციას მოუყარა თავი. გივი ელიავას კარგად აქვს შესწავლილი სამეგრელოსთვის დამახასიათებელი ყოფა-ცხოვრების თავისებურებები - სამეურნეო იარაღები, საკარმიდამო, საცხოვრებელი და დამხმარე ნაგებობები, თვითმმართველობისა და ნათესაობის სისტემები; შვიდდღიანი კალენდრის, მთვარის ციკლისა და ჰორიზონტის მხარეებთან დაკავშირებული საკითხები. მის ნაშრომებში და აღწერილობებში მრავალი ორიგინალური ტერმინია დაფიქსირებული.

	აღსანიშნავია, რომ გივი ელიავას დაფიქსირებული აქვს მეგრული სახლის გამორჩეული ტიპი, ოდა სახლის წინამორბედი, „მაქდორა“, აგრეთვე მიკვლეული აქვს შაბათი (საბატონი) დღის არქაული ფორმა - შურიშხა (შურიდდა - სულის დღე). მისი ნაშრომები ძირითადად თავმოყრილია 1989 წელს მარტვილში გამოცემულ ალბომში „ეთნოგრაფიული სამეგრელო“, რომელსაც თან ერთვის ერთგვარი ლექსიკონი - „მეგრული სოციალურ-ეთნიკური ტერმინთა კატალოგი ანბანური საძიებლით“.
71	ქართულ ეთნოგრაფიულ ჯგუფს – დვალებს – ეხება. სამეცნიერო ლიტერატურაში არის მცდელობა დვალების ალან-ოსებად გამოცხადებისა. თუმცა არსებული საისტორიო წყაროებით, ეთნოგრაფიული მონაცემებით, ტოპონიმიკური და ნომასტიკური მასალებით დვალები ქართველი მთიელები იყვნენ.
72	ნაშრომში მხილებული არიან ოსი და რუსი ავტორები, რომლებიც შეგნებულად და მიზანმიმართულად აყალბებენ ოსთა საქართველოში მიგრაციას და ქართულ-ოსურ ურთიერთობებს.
73	9 (ცხრა) ფერადი რუკა ასახავს ოსთა საქართველოში მიგრაციას. ისინი შედგენილია ინგლისურ ენაზე. რუკებიდან ჩანს, რომ ოსების ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე – დვალეთში მიგრაცია განხორციელდა XVI საუკუნეში, ხოლო შიდა ქართლის მთიანეთში – XVII საუკუნის შუა ხანებიდან. ოსთა ქართველთა განსახლების არეალი მიგრაციას ხელი შეუწყო თარეშებმა და შავი ჭირის ეპიდემიამ.
74	ნაშრომი ვრცელი მოცულობისა და ეხება ოსურ ეთნოგრაფიულ ენციკლოპედიაში ქართულ-ოსური ურტიერთობების დამახინჯებისა და ტენდენციურად წარმოდგენის ფაქტებს.
75	ნაშრომი ეძღვნება აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას დაბადებიდან 125-ე წლისთავს, მის შემოქმედებას, რომელმაც ქართულ მეცნიერულ ეთნოლოგიას ჩაუყარა საფუძველი. დაწვრილებითაა განხილული აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას როგორც სამეცნიერო, ისე პედაგოგიური და სამუძეუმო მოღვაწეობა.
76	ნაშრომი რუსულ ენაზე დაიბეჭდა გარკვეული მოსაზრებების გამო, რადგან ის დაუსაბუთებლად ჩეჩენთა შექმნილ მატერიალური კულტურის ელემენტადაა მიჩნეული. ამრიგად ის ეხება ქართული მატერიალური კულტურის ისეთ ელემენტს, როგორიცაა მამაკაცის სამოსი ჩოხა-ახალუხი. სხვადასხვა წყაროების მოხმობით დადასტურებულია, რომ საერთო კავკასიურ სამოსად ქცეული სამოსი – ჩოხა-ახალუხი – ქართველტა წიაღში წარმოიქმნა და აქედან გავრცელდა კავკასიის სხვა ხალხებში. მეცნიერები შეცდომში შეიყვანა იმ ფაქტმა, რომ რუსულ ენაზე მას „ჩერქეზკა“ ეწოდება, რაც განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ეს სამოსი XIხ საუკუნის შუა ხანებში კზაკებმა ჩერქეზებისაგან შეითვისეს. თანმადედროვე ჩოხა-ახალუხის თარგი ქართულ ფრესკებზე დადასტურებულია XIV საუკუნიდან.
77	ნაშრომი არის ფაქტობრივად რეცენზია აზერბაიჯანულ გამოცემებში ბოლო დროს გაბატონებულ შეხედულებებზე. ამჯერად საუბარია იმის სესახებ, რომ ქვემო ქართლში თურქული ელემენტი, თურმე, ძველესი დროიდან მკვიდრობს, რომ ბორჩალოელები ქვემო ქართლის გარკვეულ მონაკვეთში სახლდებიან არა XVII საუკუნის დასაწყისიდან, არამედ ძვ. წ. IV საუკუნიდან. ბორჩალოდ მიიჩნევენ არა მხოლოდ ქვემო ქართლს, არამედ შიდა ქართლსაც.
78	ნაშრომი შესწავლილია საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხაეში იმერხევში ეთნოგრაფიულად დადასტურებული გვარსახელები. ნაშრომი ეყრდნობა ავტორის მიერ იმერხევის სოფლებში წლების განმავლობაში შეკრებილ ეთნოგრაფიულ მასალებს. იმერხეული გვარები ზუსტად ისეთივე ტოპისა იყო, როგორც დანარჩენ საქართველოში, ისინი ბოლოვდებოდნენ –ძე, -შვილი და –ეთ სუფიქსებით. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთსა და თურქეთში მემკვიდრეობითი სახელი არ არსებობდა, ქართველებმა ის მაინც შეინარჩუნეს, ბევრი უბანი გვარის სახელსაც ატარებდა.

79	ქართულ მეცნიერებას ღრმა კვალი დააჩნია ზაქარია ჭიჭინაძემ. ის არაერთ სხვა საკითხთან ერთად შეეხო ქართველთა რელიგიურ კონფესიურ ჯგუფებს. ნშრომში საუბარია ზაქარია ჭიჭინაძის ღვაწლზე ქართველი მაჰმადიანებისა და ქართველი მონოფიზიტების შესახებ. აღნიშნული რელიგიურ-კონფესიური ჯგუფების არსებობას ზაქარია ჭიჭინაძე ასაბუთებდა, როგორც წერილობითი წყაროებით, ისე ეთნოგრაფიული მონაცემებით.
80	ნაშრომში დასავლეთ საქართველოში კერძოდ კი, სამეგრელოში ტრადიციულ ღვთაებათა სალოცავების შესახებ არის საუბარი, რომელიც სამეურნეო ნაგებობასთან მარანთან იყო დაკავშირებული. აღწერილია დღესასწაულების ტრადიციული ფორმები. ტრადიციული რწმენა-წარმოდგენების რელიგიური სისტემის მაგიურ ხასიათს ოჯახის მეთაურები, ხნით უფროსი მამაკაცი მლოცველები ახორციელებდნენ.
81	ნაშრომი ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები ოსი მოსახლეობის ოჯახს და საოჯახო ყოფას შეისწავლის. ძირითადად ოჯახის ორი ფორმა იქნა დადგენილი – დიდი, რომელიც პატრიარქალური საოჯახო თემის რღვევის შედეგად შეიქმნა და მცირე, ანუ ინდივიდუალური, ანუ ნუკლეარული ოჯახი. გამოკვლეულია ასეთი ოჯახების შემადგენლობა და საოჯახო საკუთრების ფორმა. ნაშრომი შეისწავლის დიდი ოჯახის მმართველობის სისტემას, თავისებურ სოციალურ უფლება-მოვალეობებსა და ვალდებულებებს. გაბატონებული სოლიდარობის, თანასწორუფლებიანობის და ინტერესთა დამთხვევის მიუხედავად, დროთა ვითარებაში, დიდი ოჯახის ნუკლეარულ ოჯახებად დაშლა ხდებოდა. წარმოჩენილია ოჯახში გაყრისა და ქონების განაწილების პრინციპი. განაყარი ოჯახები ფართო ნათესაურ გაერთიანებას, პატრონიმიულ ორგანიზაციის სახელით ცნობილ ჯგუფს აყალიბებდნენ. ნაშრომში ასახულია ოსების დამოკიდებულება საკუთრების ფორმების მიმართ.
82	ნაშრომში შესწავლილია XVII-XVIII სს-ში ძველი აღმოსავლეთ კახეთის – კახის, ზაქათალასა და ჭარ-ბელქანის ტერიტორიაზე შემორჩენილი ქართული მოსახლეობის (ინგილოების) ოჯახი და საოჯახო ყოფის პრობლემები. ეს ტერიტორია დღეს აზერბაიჯანის შემადგენლობაშია შესული ისტორიული ბედუკუღმართობის გამო. ამ ტერიტორიაზე ძველად მიგრაციული გზით შემოჭრილმა მუსულმანურმა მოსახლეობამ ქართულ ოჯახებს ფსიქოლოგიური და დემოგრაფიული პრობლემები გაუჩინა. ქვეყნის ისტორიულ-პოლიტიკურმა ვითარებამ ქართველების და მათი ოჯახების კულტურული განვითარების პროცესების გამწვავება გამოიწვია. მიუხედავად ამისა, ეთნოგრაფიული მასალები მოწმობენ, რომ „ინგილოები“ ტრადიციულ საოჯახო ნორმებს კარგად იცავდნენ. ნაშრომში საუბარია ოჯახისა და საოჯახო ყოფის ყველა პრობლემაზე – ოჯახის ფორმებზე, შემადგენლობაზე, საკუთრების ფორმებზე, მმართველობის სისტემაზე და სხვ.
83	კავკასიათმცოდნეობაში ოსეთის საზოგადოებრივი წყობილების შესწავლა ისტორიულ-ეთნოლოგიურ ლიტერატურაში მნიშვნელოვანია, რადგან მასზე ერთიანი აზრი არ არსებობს. ნაშრომში წამოწეულია საკითხი ოსეთში განვითარებული ფეოდალიზმის არსებობის შესახებ. საბჭოთა პერიოდში მეცნიერთა ნაწილი, ფეოდალიზმის არსებობის დამადასტურებელ საბუთად, არა პირდაპირ საკუთრების ფორმაზე ამახვილებს ყურადღებას, არამედ, „ძლიერი გვარების“ მეთაურთა მიერ ერთმანეთზე და მეზობელ ხალხებზე, სხვისი (უმეტესად საკუთარი ნათესავების) თარეშში მონაწილეობით, მათი დაჩაგვრისა და ნაშრომის მითვისებით გამდიდრებულ მეთაურებზე. ქართველ მეცნიერთა (გ. მელიქიშვილის, ალ. რობაქიძის, ზ. ანჩაბაძის) თვალსაზრისით, სამეცნიერო ლიტერატურაში, მსგავსი საზოგადოებრივ-სოციალური ყოფისათვის გავრცელდა ტერმინები – „პროტოფეოდალიზმი“ და „მთური ფეოდალიზმი“, რაც ბევრად უფრო მიესადაგებოდა აღწერილ ყოფას.

	ორივე ტერმინი ფეოდალიზაციის პროცესის წინარე სიტუაციას გულისხმობდა, რომელიც ფეოდალურ ურთიერთობაში გადაზრდის ტენდენციას ასახავდა.
84	სტატიაში განხილულია თანამედროვე რუსული გეოპოლიტიკური პარადიგმის თავისებურებები და მისი გავლენა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში განვითარებულ მოვლენებზე.
85	სტატიაში საუბარია ახალგორის ოკუპაციის შემდგომ პერიოდში რაიონში შექმნილ ვითარებაზე, ორმაგი სტანდარტების არსებობაზე და ამ პირობებში მცხოვრები ქართველი მოსახლეობის მდგომარეობაზე.
86	ქართველ ებრაელთა რელიგიური დღესასწაულები იუდაისტური ნორმების დაცვით ტარდებოდა. ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს შაბათი - „დედოფალი შაბათი“. ნაშრომი ასახავს ამ გამორჩეული დღესასწაულის მნიშვნელობას ებრაელთა თვითდამკვიდრების საქმეში.
87	ნაშრომში კულტურულ-ცივილიზაციური მეთოდოლოგიის საფუძველზე კავკასიისა და მსოფლიო ისტორიის კონტექსტში გაანალიზებულია ქართულ და რუსულ ისტორიოგრაფიაში ნაკლებად შესწავლილი საკითხი – ადიღეელების სოციალურ-კულტურული მოდერნიზაციული პროცესები, განსაზღვრულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში. ეს პროცესი მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ადიღელთა ანტიფეოდალურ, ანტიკოლონიალურ ომთან, რომელიც ისტორიოგრაფიაში ადრე მიღებული თარიღებისაგან (1818-1864 წ.წ.) განსხვავებით, უფრო ადრე-XVIII საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო.
88	ნაშრომში განხილულია XX საუკუნის დასაწყისში ალექსანდრე ჯავახიშვილის მიერ გამოქვეყნებული პირველი სოლიდური ნაშრომები ქართველების ცალკეულ ეთნოგრაფიული ჯგუფების (ქართლელები, კახელები, გურულები, მეგრელები, იმერლები, რაჭველები, მთიულები) შესახებ. მან აწარმოა პირველი კომპლექსური კვლევა (გეოგრაფია, ისტორია, ანთროპოლოგია), დაწერა კავკასიის ანთროპოლოგიური კვლევის პროგრამა, დააყენა საკითხი სამეცნიერო-საზოგადოებრივი დაწესებულების დაარსების აუცილებლობის შესახებ, რომელიც ამოცანად დაისახავდა კავკასიისა და მეზობელი ქვეყნების სისტემატურ ანთროპოლოგიურ კვლევას, პირველმა აღნიშნა კავკასიური მოდგმის ავტოხტონურობა, ქართველებში გამოყო დასავლეთის, აღმოსავლეთის და შერეული ანთროპოლოგიური ტიპები, შეისწავლა დოლიქოკეფალია ქართველებში, საქართველოს კავკასიონში დასახლების და მოსახლეობის გეოგრაფიული გავრცელების და განაწილების ადგილობრივი თავისებურება და ა.შ.
89	ნაშრომი ეხება ენეოლითი - ადრეული მტკვარ-არაქსის დროის მონაკვეთის ადამიანთა ძვლოვანი ნაშთების ანთროპოლოგიურ-პათოლოგიურ გამოკვლევასა და შედეგებს. ქვემო ქართლში, თეთრიწყაროს რაიონის, ადგილ „ნაჭივჭავებში“ ჩემს ხელთ არსებული კრანიომასალის შესწავლა-გამოკვლევისა და ციფრული მონაცემების საფუძველზე დადასტურდა 4 რასობრივი ერთეული, 5 კრანიოლოგიური ტიპით. თავის ქალას დოლიქო-მეზოკრანული ფორმები და მასიური, გრაცილური და ჩვეულებრივი ნორმალური ტიპები. რაც შეეხება პათოლოგიურ პრობლემებს, ის ძირითადად ექვემდებარება რეგიონის ტერიტორიაზე არსებულ წიაღისეული სიმდიდრეების მოპოვება-დამუშავება-გამოყენებას, ასევე ყოფით და ადაპტაციურ ფაქტორებს. ძალზე მნიშვნელოვანია პათოლოგიური პრობლემების აღმოფხვრა სხვადასხვა ქირურგიული მანიპულაციების საშუალებით, რაც შესანიშნავად ჩაუტარებია გონებამახვილ და გამოცდილ მკურნალს.
90	ნაშრომი არის საბოლოო დასკვნა 2010 წლის ზაფხულში, ცაგერში, წმ. მაქსიმე აღმსარებელის მამათა მონასტრის მცირე ეკლესიაში, სარესტავრაციო სამუშაოების დროს აღმოჩენილი ძვლოვანი ნაშთების შესახებ.

91	ნაშრომში განიხილულია ფიზიოლოგიური სტრესის მარკერების და ანომალიების (ანუ დისკრეტულად-ვარიერებული ნიშნები) ფართო სპექტრის გავრცელება შუა საუკუნეების პალეომოსახლეობაში. ჩვენს მიერ საქართველოს შუასაუკუნეების მოსახლეობა ორი სისტემითაა შესწავლილი: ფიზიოლოგიური სტრესის მარკერების და დისკრეტულად-ვარიერებული ნიშნების მიხედვით. გამოვლინდა, რომ ადრეული და განვითრებული შუა საუკუნეების მოსახლეობაში ძალიან მაღალია თავის ქალას სხვადასხვა არეში გავრცელებული ჰიპეროსტოზების სიხშირე, რაც სხვადასხვა ინფექციურ დაავადებებს და ეპიდემიებს უკავშირდება. გვიანი შუა საუკუნეების მოსახლეობა განიცდიდა გარემო პირობების არახელსაყრელ ზეწოლას, რაც გამოიხატა ანემიებისა და მწვავე ინფექციების მაღალი ალბათობით, სიცივით გამოწვეული სტრესით და სიცოცხლეში კბილების დაკარგვის მაღალი კონცენტრაციით. გვიანი შუა საუკუნეების მთის მოსახლეობაში ტრავმატული დაზიანების მაღალი სიხშირე აღინიშნება. შუა საუკუნეების მოსახლეობაში ასევე იზრდება დისკრეტულად-ვარიერებულ ნიშანთა სპექტრი (0,9442 – 0,9545 – 0, 9697). ჰიპეროსტოზების მაღალი სიხშირის მიზეზად გვევლინება შუა საუნეების დროს შედარებით დაბალი ტემპერატურა, ორგანიზმის გადაცივება ხშირი ეპიდემიების გავრხელების ფონზე.
92	ნაშრომში წარმოდგენილია ელინისტური ხანის ბერძენ ავტორებთან მოხსენიებული კოლხეთის ქალაქების–აია–კჳიტაიას და სიბარისის ადგილმდენარეობის დადგენის ცდა. აღნიშნულია, რომ აია–კჳიტაია იგივე ნოქალაქევია, სადაც ასევე მდებარეობს თანამედროვე სოფელი კოტიანეთი. იგივეა ქალაქი სიბარისი, რომელიც მხოლოდ დიოდორე სიცილიელთან (I ს.) იხსენიება.
93	ნაშრომში, „აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთრის (მე–16 საუკუნის მეორე ნახევარი–1621 წელი) მიხედვით, წარმოდგენილია აფხაზეთის საკათალიკოსო სოფლებში ნაჟანეული, ხოირის სასახლის, სუბვის სასახლის და მისი მიმდგამი სოფლის მუხურის, თილითის სასახლის, ხაუჟელის სასახლის, სოფელ ჭალა–ს, ღაჩუს და სოფელ ტყაურის საკათალიკოსო გლეხთა პირსახელების და გვარსახელების დახასიათება. შესწავლილია პირსახელების და გვარსახელების ეტიმოლოგია, რის საფუძველზეც აღნიშნულია, რომ მათი უმრავლესობა მეგრული ენის საფუძველზე იხსნება. ამ დოკუმენტში გვხვდება უცხო წარმომავლობის სახელებიც (ბერძნული, ძველებრაული, სპარსული და სხვ.), მაგრამ ამ ნიშნით ჩვენ ეთნიკურ სიჭრელესთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ ეს პირსახელები საყოველთაოდ არის გავრცელებული მსოფლიოს მრავალ სხვადასხვა წარმომავლობის ხალხებს შორის. რაც შეეხება აფსუურ გვარებს, ის ამ დოკუმენტში საერთოდ არ გვხვდება. XVI საუკუნის მიწურულის და 1621 წლების „აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდ დავთარში” წარმოდგენილ საკათალიკოსო გლეხთა გვარები, სპეციალური გამოკვლევების ნაკლებობის გამო, არ არის შედარებული აფხაზეთში, როგორც ომამდე, ისე ომის შემდგომ განსახლებულ გვარებთან, თუმცა ამ სახის მასალები შედარება გაკეთებულია საკუთრივ დღევანდელი სამეგრელოს ტერიტორიაზე განსახლებულ იდენტურ გვარებთან.
94	ნაშრომში წარმოდგენილია სამეგრელოს რამოდენიმე ტოპონიმის ინტერპრეტაცია, რომელიც დამატებით მნიშვნელოვან მასალაა ამ რეგიონის უძველესი ეთნიკური ისტორიის კვლევისას. აღნიშნულია, რომ ეს ჰიდრონიმიული გეოგრაფიული სახელწოდებები („სინწა”, „ძაღვა”, „უმპია”), რომლებიც ერთ მიკრორეგიონში, დაახლოებით ათიოდე კილომეტრის რადიუსშია თავმოყრილი, იხსნება იბერიულ–კავკასიურ ენებში შემორჩენილი უძველესი ლექსემებით და ეს ჰიდრონომია მიუთითებს ამ ენაზე მოსაუბრე ტომთა ოდინდელ ერთობაზე და ნათესაობაზე, რომელიც ძვ. წ. IV–III ათასწლეულებში უნდა მოვიაზროთ.
95	ნაშრომში წარმოდგენილია ზუგდიდის რაიონში ფიქსირებული ყველა ისტორიული ძეგლების მოკლე ისტორია და საარქივო მასალების საფუძველზე

	დადგენილია XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის პირველ მეოთხედში, ანუ გასაბჭოებამდე ამ ეკლესიებში მოღვაწე მღვდელთმსახურთა ვინაობა. ეს ფაქტიურად იმ ადამიანთა სიაა, რომლებიც, მათი ოჯახებითურთ 1924 წელს შეეწირნენ ბოლშევიკურ რეჟიმს და მათი ვინაობა უცნობია ფართო საზოგადოებისათვის. ეკლესიების უმრავლესობაც სწორედ იმავე პერიოდში დაანგრიეს.
96	ნაშრომში წარმოგენილია ოდიშის სამთავროს ტერიტორიაზე (აფხაზეთის ჩათვლით) მდებარე თავდაცვითი ნაგებობების მოკლე აღწერილობა და მდებარეობა, ამავე დროს ნაჩვენებია თავდაცვითი ხაზის ძირითადი მიმართულებები, რომელიც ჩვენს მიერ ადგილზე თითოეულ ამ ძეგლზე დაკვირვების შედეგად მოპოვებულ მასალებს ეყრდნობა. წინამდებარე სტატიის ფარგლებში ნაჩვენებია ნაწილი ოდიშის სამთავროს თავდაცვითი ნააგებობებისა და ისინი ჩვენს მიერ შერჩეულ იქნა, როგორც სტრატეგიულად, ისე არქიტექტურულად ამ ძეგლების უაღრესად დიდი მნიშვნელობის გამო.
97	ნაშრომში წარმოდგენილია ზუგდიდის რაიონში შემორჩენილი ეკლესიების და თავდაცვითი ნაგებობების ისტორია.
98	სტატია სამ ნაწილად იყოფა. სტატიის I ნაწილში კოდიკოლოგიური თვალსაზრისით არის შესწავლილი კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული XV-XVI საუკუნეებით დათარიღებული ხელნაწერი კრებული (H-375) დადგენილია, რომ ხელნაწერი დღევანდელი სახით ვინმე ანონიმი მწიგნობრის მიერ, XVIII საუკუნეში, ოთხი სხვადასხვა ხელნაწერი წიგნის ფრაგმენტების ერთად აკინძვის გზით არის შექმნილი. სტატიის II ნაწილში კოდიკოლოგიური და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით არის შესწავლილი ხელნაწერის ამჟამინდელი შედგენილობაში წარმოდგენილი ოთხი სხვადასხვა ხელნაწერი წიგნის ფრაგმენტები და დადგენილია, რომ პირველი ხელნაწერი წიგნის ფრაგმენტები ტაოს უცნობი ერისთავის გიორგი კავკასიძის (1535/1536-1545 წწ.) ფეოდალური სახლის კუთვნილ XV საუკუნის მარხვანს, ხოლო მეორე ხელნაწერი წიგნის ფრაგმენტები უცნობი იშხნელი ეპისკოპოსის ჯერასიმეს დაკვეთით იშხანში გადაწერილ XV საუკუნის ზატიკს ეკუთვნოდა. სტატიის III ნაწილში ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით არის შესწავლილი კავკასიძეთა მარხვანისა და იშხნის ზატიკისათვის დართული ანდერძ-მინაწერები, გაანალიზებულია კავკასიძეთა ფეოდალური სახლის გენეალოგიასთან (XV-XVI სს.), ტაოს საერისთავოს ისტორიის ბოლო მონაკვეთთან (XV-XVI სს.), იშხნის ტაძარში დაბრძანებულ კარის (პორტაიტის) ღმრთისმშობლის ხატთან (XII-XVI სს.), იშხნელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიურ რიგთან (XV-XVI სს.) და სამცხის სამთავროს ისტორიასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნიკოლოზ ჯავახიშვილი	ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიის ნარკვევები (ლატვიურ და	ლატვია, რიგა ლატვიის კულტურის სამინისტროს; ლატვიის მეცნიერე-ბათა აკადემიისა და	ლატვიურ ენაზე – 183 რუსულ ენაზე – 624

		რუსულ ენებზე)	ლატვიის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ინსტიტუტის ეგიდით	
ანოტაციები ქართულ ენაზე				
1	ლატვიურ და რუსულ ენებზე გამოცემულ მონოგრაფიებში წარმოდგენილია ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიის ნარკვევები, რომლებშიც ქრონოლოგიური თანამიმდევრობით არის შესწავლილი ბალტიის ქვეყნებთან საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური და სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ამსახველი არაერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტი. დადგენილია, რომ ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორია თერთმეტ საუკუნეზე მეტს ითვლის.			

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მარიამ ჩხარტიშვილი, ს. ქადაგიშვილი, ზ. თარგამაძე	დიდი ომის იმპულსი ქართული იდენტობის განვითარებაზე, *პირველი მსოფლიო ომი. ანალიზი, ინტერპრეტაცია* (ინგლ. ენაზე)	2 კონფ. მასალები	დიდი ბრიტანეთი, Cambridge Scholars Publishing	11
2	მარიამ ჩხარტიშვილი	Kutsallık ve Kimlik: Gֆrֆ Olay İncelemesi, *Yeni Türkiye* (თურქ. ენაზე)	VII	თურქეთი, Kafkaslar	8
3	ვაჟა კიკნაძე	ქალის როლი	–	კიშინიოვი,	8

		საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში V-XI სს-ში, *კრ. ცივილიზაციათა დიალოგი: ისტორიული და კულტურული ურთიერთგავლენა* (რუსულ ენაზე)		მოლდავეთის მეცნიერებათა აკად. გამომც.	
4	გიორგი ჭეიშვილი	ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის საეპისკოპოსოები სომხეთში, (ინგლ. ენაზე)	კონფ. მასალები	ნიუ-იორკი, Nova Science Publisher	12
5	ელდარ ბუბულაშვილი	The Contibution of Georgian Orthodoxs Church to teh Proteqsion and Preservation of the Georgian Heristage Androal (1970s – First Dekade of the 21 Century), *Returning to Spirituality*	კონფ. მასალები	ნიუ-იორკი, Nova Science Publisher	7
6	ელდარ ბუბულაშვილი	ქუთაისის სასულიერო სემინარია, *Православная энциклопедия* (რუსულ ენაზე)	XXXIX	მოსკოვი	8
7	ნიკოლოზ ჯავახიშვილი	Сведения о Польше и странах Балтии, сохраненные в грузинских источниках XVIII века, *კრებ. «Studia Prawnoustrojowe»*	26	პოლონეთი, ოლშტინი, ოლშტინის უნივერსიტეტის გამომც.	9
8	ნათია ჯალაბაძე	Народное (обычное) право, *კრებ. Грузины*	–	მოსკოვი, გამომც. Наука	9
9	ნათია ჯალაბაძე, თინა ოჩიაური	Народные верования, *კრებ. Грузины*	–	მოსკოვი, გამომც. Наука	15
10	ნათია ჯალაბაძე, ლია მელიქიშვილი	Language and Ethnic Boundaries in Multiethnic Georgia, *კრებ. Linguistic*	–	ფრანკფურტი	11

		Construction of Ethnic Borders			
11	ჯონი კვიციანი	Кавказская война как свидетельство разнотений адыгской истории, *журн. Научная мысль кавказа*	1	დონის როსტოვი, Южн. Федеральн. Университет	4
12	ლიანა ბითაძე	Историко-антропологические сведения, *крэб. Грузины*	–	მოსკოვი, გამომც. Наука	11
ანოტაციები ქართულ ენაზე					
1	ეს არის სტატია ინგლისურ ენაზე ამავე სახელწოდების საერთაშორისო კონფერენციის მასალების ამსახველ კრებულში. ჩემი თანავტორები არიან ჩემი დასახელებული დოქტორანტები. სტატია ეხება პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდში და უშუალოდ ომის დროს ქართული საზოგადოების პერცეპციებს, კულტურული ელიტის მიერ ნაციის, სახელმწიფოს, ნაციონალიზმის და სხვა ცნებების კონცეპტუალიზაციას. წიგნი მომზადებულია რომის ლა საპიენცას უნივერსიტეტში და გამოცემულია დიდ ბრიტანეთში ცნობილი სამეცნიერო გამომცემლობის მიერ.				
2	სტატია თურქულ ენაზეა. ის დაბეჭდილია თურქეთის ჟურნალში Yeni Tۈrkiye (http://www.yeniturkiye.com), რომლის 11 ტომი, საერთო მოცულობით დაახლოებით 8500 გვერდი, ეძღვნება კავკასიას. ჩემი სტატია დაბეჭდილია მიმდინარე წლის გამოშვებაში და შეეხება ქართული იდენტობის ისტორიას პრე-მოდერნულ ხანაში, კერძოდ, რელიგიის, როგორც მარკერის, მნიშვნელობას აშუქებს. ეს საკითხი ილუსტრირებულია წმ. მამა გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობის მაგალითით.				
3	ნაშრომში განხილულია ქართველ ქალთა პოლიტიკური აქტივობა V-XI სს-ში. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შუშანიკ დედოფლის, ვახტანგ გორგასლის დედის და დების, დედოფალ გურანდუხტის (ბაგრატ III-ის დედის), ბიზანტიაში გათხოვილი ქართველი მეფის ასულის, მართა-მარიამის მოღვაწეობას.				
4	ნაშრომში განხილულია ქართული საეპისკოპოსოების (ვალაშკერტის, ანისი, კარის) წარმოქმნა ისტორიულ ჩრდილოეთ სომხეთში, დაარსების სავარაუდო დრო, ეპარქიების საზღვრები და ცენტრები, ეპიგრაფიკულ და სხვა მონაცემებზე დაყრდნობით ნაჩვენებია ქართული/ქართულენოვანი კერების არსებობა.				
5	ნაშრომი გამოიცა აშშ-ში. იგი ეხება თუ რა წვლილი შეიტანა საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ მეოცე საუკუნის სამოცდათიანი წლების ბოლოს და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში.				
6	ნაშრომში განხილულია, ქუთაისის დაარსების ისტორია და იქ მიმდინარე სასწავლო პროცესი. ქუთაისის სასულიერო სემინარიამ 1894 წლიდან 1904 წლამდე იარსება.				
7	სტატიაში შესწავლილია, თუ როგორ აისახა პოლონეთი და ბალტიისპირეთი XVIII საუკუნის ქართულ წყაროებში. მათ შორის იყო ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის, უფლისწულ ვახუშტი ვახტანგის ძე ბაგრატიონის, უფლისწულ ლეონ ბაქარის ძე ბაგრატიონისა და ვახტანგ VI-ის ამალის წევრის გაბრიელ გელოვანის თხზულებები. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ ხსენებული ეპოქის ქართულ ინტელექტუალურ ელიტას საკმაოდ მკაფიო წარმოდგენა ჰქონდა პოლონეთსა და ბალტიისპირეთში იმხანად განვითარებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ პროცესებზე.				
8	ნაშრომში წარმოადგენილია ქართული ჩვეულებითი სამართლის ზოგადი				

	სურათი, კუთხების მიხედვით განხილულია სამართლის ინსტიტუტის სხვადასხვა ნორმები და მახასიათებლები.
9	ნაშრომი წარმოადგენს ქართული ხალხური რელიგიის ზოგად მომოხილვას – განხილულია ხალხურ ღვთაებათა პანთეონი, ღვთაებათა ფუნქციები, წარმოდგენები მათ შესახებ და კულტმსახურების ნორმები.
10	სტატიაში განხილულია ეთნიკურ საზღვართან დაკავშირებით არსებული თეორიული მოსაზრებები და ენის მიმართება ამ საზღვრების ჩამოყალიბებაზე. მოხმობილია მაგალითები ქართული რეალობიდან.
11	ნაშრომში ცივილიზაციური მეთოდოლოგიის კონტექსტში, გაანალიზებულია „ჩერქეზული საკითხი". ავკასიის ომში XIX საუკუნეში. ს საკითხი გამოწვეული იქნა იმ დროისთვის კავკასიაში გამწვავებული შიდა კულტურული-ცივილიზაციური წინააღმდეგობებით და რუსეთის საგარეო პოლიტიკური ბრძოლებით ტრადიციულ (თურქეთი, ირანი) და ახალ (ინგლისი, საფრანგეთი) გეოპოლიტიკურ მეტოქეებთან. ავტორი აანალიზებს სიტუაციას „ჩერქეზული საკითხის" ირგვლივ თანამედროვე ეტაპზე და დაასკვნის, რომ მისი განხილვა არც თუ იშვიათად მოკლებულია ყოველმხრივ სამეცნიერო არგუმენტაციას. ყოველივე ამის შედეგად ღებულობს საკამათო, კონფლიქტურ ინტერპრეტაციას, რაც ხელს უშლის საზოგადოებაში ინტეგრაციულ პროცესებს.
12	ნაშრომში განხილულია ქართველების ანთროპოლოგიური ტიპის ცვალებადობა სივრცესა და დროში. აღნიშნულია ქართველების პოლიმორფულობა სხვადასხვა ნიშანთა სისტემის მიხედვით (კრანიოლოგია, სომატოლოგია, დერმატოგლიფიკა, ოდონტოლოგია, სიასხლის იზოანტიგენური სისტემები), რომ უმეტეს ნიშანთა სისტემების მიხედვით ქართველების ცვალებადობის ფარგლები ყველა კავკასიის აბორიგენ ეთნოსებზე მაღალია.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ირინე ტატიშვილი, ლ. გორდეზიანი	ხეთური ელემენტები არმაზის კულტში	19 დეკემბერი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ
2	ნანა ბახსოლიანი	საისტორიო ეტიუდები ჟურნალ „ქართლოსის" ფურცლებიდან	3-4 ივნისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
3	ნანა ბახსოლიანი	მადუვათა-მოფსოსი ხეთურ და ძველბერძნულ წერილობით წყაროებში	28-29 მაისი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
4	ნანა ბახსოლიანი	გვიანხეთური ხანის კილიკიის ისტორიისათვის	26 ივნისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
5	ნანა ბახსოლიანი	ქალი ანტიკური ხანის ანატოლიაში (ალანიის მუზეუმის ექსპონატების მონაცემთა კონტექსტში)	23 ოქტომბერი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
6	მარიამ ჩხარტიშვილი	Forging Georgian Identity in Late Antiquity: Myth of Ethnic Election	26 ივნისი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ
7	მარიამ ჩხარტიშვილი	ახალი დისკურსი მეფე აზოსა და არიან-ქართლის	17 ნოემბერი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი,

		შესახებ	გორი
8	გიორგი ქავთარაძე	ნაბუქოდონოსორ II, ”იბერია” და ებრაელთა ქართლში ამოსვლის საკითხი	28-29 მაისი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
9	გიორგი ქავთარაძე	ანისის მეფის გაგიკ I-ის ქანდაკების შესახებ	6 ნოემბერი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
10	ვაჟა კიკნაძე	მარკო პოლოს XV საუკუნის ხელნაწერში წარმოდგენილი საქართველოს მეფე დავითის იდენტიფიკაცია	30 მაისი, საქართველოს უნივერსიტეტი
11	ვაჟა კიკნაძე	ეპისკოპოს კირიონის მოღვაწეობა კაუნასის, პოჟაის მონასტერში	15 ივნისი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ
12	ვაჟა კიკნაძე	ეპისკოპოს კირიონის მოღვაწეობა სოხუმის ეპარქიაში	6 ნოემბერი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
13	ვაჟა კიკნაძე	აკადემიის წევრ-კორესპონდენტის მამია დუმბაძის ცხოვრება და შემოქმედება	18 სექტემბერი, საქართველოს მეცნ. ეროვნული აკადემია
14	ვაჟა კიკნაძე	რუსეთის იმპერიის კულტურულ-ექსპანსიონისტური პოლიტიკის რამდენიმე მაგალითი (XIX ს.)	25-27 ნოემბერი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
15	ვახტანგ გოილაძე	ვინ იყვნენ ახ. წ. 35 წელს პართელთა წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველთა ჩრდილოელი მოკავშირეები?	28-29 მაისი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
16	ვახტანგ გოილაძე	ქალაქების საკითხი შუა საუკუნეების ოსეთში	25-27 ნოემბერი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
17	გონელი არახამია	„ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქცია და მისი გამოცემის მეთოდიკა	10-14 ნოემბერი, საქართველოს მეცნ. ეროვნული აკადემია
18	დავით მერკვილაძე	კუხეთის ტერიტორიისა და საზღვრების შესახებ ლეონტი მროველის ცნობის გაგებისათვის	28-29 მაისი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
19	დავით მერკვილაძე	ქართლისა და სომხეთის საეკლესიო განხეთქილების რელიგიურ-პოლიტიკური წანამძღვრები	6 ნოემბერი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

20	დავით მერკვილაძე	დეკანოზ ბასილ მერკვილაძის შთამომავალთა საოჯახო არქივის მონაცემები	17 ნოემბერი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი
21	დავით მერკვილაძე	ჰერეთის, კახეთისა და კუხეთის შესახებ ლეონტი მროველის ცნობების ვახუშტი ბატონიშვილისეული ინტერპრეტაცია	25-27 ნოემბერი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
22	ქეთევან ქუთათელაძე	საკრალული ხეები ქრისტიანულ სარწმუნოებაში ქართული წყაროების მიხედვით	28-29 მაისი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
23	ქეთევან ქუთათელაძე	ზოონიმური წარმოშობის ტოპონიმები „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით	24-25 ივნისი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ
24	ქეთევან ქუთათელაძე	„ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანში მოხსენიებული ტოპონიმების შესწავლისათვის	10-11 ივლისი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
25	ქეთევან ქუთათელაძე	„ქართლის ცხოვრებასა“ და „მოქცევაი ქართლისაიში“ მოხსენიებული უძველესი ღვთაება „გა/გაიმი“ სვანური ფოლკლორული მასალის ფონზე	7-9 სექტემბერი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ
26	ქეთევან ქუთათელაძე	სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთი ტოპონიმის ეტიმოლოგიური ძიებისათვის	25-27 ნოემბერი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
27	რუსუდან ლაბაძე	პავლეს აპოკალიფსი და ესქატოლოგიური დრამა: აღმოსავლეთი და დასავლეთი	10-14 ნოემბერი, საქართველოს მეცნ. ეროვნული აკადემია
28	პაპუნა გაბისონია	დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ბერძნულ-რომაული სახელწოდებათა გარკვევის საკითხისთვის (I-II სს.)	28-29 მაისი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
29	პაპუნა გაბისონია	საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის რამდენიმე საკითხის შესწავლა საქართველოს საზოგადო რუკის (1931-32	22-25 ოქტომბერი, ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი

		წწ.) მეშვეობით	
30	ავთანდილ სონღულაშვილი	ეროვნულ უმცირესობათა რელიგიური სექტები საქართველოში XX საუკუნის 50-იან წლებში	25-27 ნოემბერი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
31	დოდო ჭუმბურიძე	საქართველოს დემოკრატიული რესუბლიკის პირველი ოფიციალური დელეგაცია გერმანიაში (აკაკი ჩხენკელის წერილების მიხედვით)	14-15 თებერვალი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი
32	დოდო ჭუმბურიძე	ევროპაში საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლის – რაფიელ ივანიცკი-ინგილოს მოღვაწეობიდან	4-5 აპრილი, შოთა რუსთაველის სახ. ბათუმის უნივერსიტეტი
33	დოდო ჭუმბურიძე	რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შეფასება მამია დუმბაძის ნაშრომებში	28-29 მაისი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
34	დოდო ჭუმბურიძე	აკაკი ჩხენკელი და ქალაქი ბათუმი	5-6 სექტემბერი, შოთა რუსთაველის სახ. ბათუმის უნივერსიტეტი
35	დოდო ჭუმბურიძე	ისტორიული რეალობა დამხატვრული გამონაგონი აკაკი წერეთლის “თორნიკე ერისთავში”	27-28 ოქტომბერი, აკაკი წერეთლის სახ. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
36	დოდო ჭუმბურიძე	აკაკი ჩხენკელის შეხვედრები გერმანელ დიპლომატებთან (1921 წლის მაის-ივნისი)	12 ნოემბერი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი
37	დოდო ჭუმბურიძე	საქართველო და II მსოფლიო ომი აკაკი ჩხენკელის წერილებში	17 დეკემბერი, ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
38	შოთა ვადაჭკორია	საბჭოთა რუსეთთან საქართველოს დამარცხების ზოგიერთი მიზეზის დაზუსტებისათვის (1921 წლის თებერვალ-მარტის მოვლენები)	28-29 მაისი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
39	შოთა ვადაჭკორია	საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობისადმი წაყენებული ბრალდების – ოსმალეთისადმი ბათუმის „ნებაყოფლობით“ გადაცემის საკითხის	25-27 ნოემბერი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

		გარკვევისათვის (1921 წლის მარტი)	
40	ელდარ ბუბულაშვილი	ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის XIX-XX საუკუნის მიჯნა	5 მარტი, თბილისის სასულიერო კადემია და სემინარია
41	ელდარ ბუბულაშვილი	წმინდა ანდრია პირველწოდებულის მოციქულებრივი მოღვაწეობის გზა	11 მაისი, ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტი
42	ელდარ ბუბულაშვილი	რაფიელ ივანიცკი-ინგილო საქართველოს ეკლესიის უფლებათა დამცველი (ემიგრანტული მასალების მიხედვით, XX ს-ის 20-იანი წლები)	25 მაისი, თბილისის სასულიერო კადემია და სემინარია
43	ელდარ ბუბულაშვილი	იტალიაში რაფიელ-ივანიცკი ინგილოს კულტურული მოღვაწეობის ისტორიიდან	21-22 სექტემბერი, აკაკი წერეთლის სახ. ქუთაისის სახელმწიფო
44	ელდარ ბუბულაშვილი	ილია ჭავჭავაძის წმინდანად შერაცხვის საკითხისათვის	7 ნოემბერი, თბილისის სასულიერო კადემია და სემინარია
45	ელდარ ბუბულაშვილი	დიდი ბრიტანეთის საეკლესიო პოლიტიკური ელიტა და საქართველოს მრთლმადიდებელი ეკლესია (XIX ს-ის 60-იანი - XX ს-ის 20-იანი წლები)	10-14 ნოემბერი, საქართველოს მეცნ. ეროვნული აკადემია
46	ელდარ ბუბულაშვილი	წმ. კირიონ საძაგლიშვილი - ეგზარქოსის დროინდელი საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევარი	20 ნოემბერი, თბილისის სასულიერო კადემია და სემინარია
47	ნიკოლოზ ჯავახიშვილი	კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკ III-ის ბიოგრაფიისათვის	17-18 აპრილი, შოთა რუსთაველის სახ. ბათუმის უნივერსიტეტი
48	ნიკოლოზ ჯავახიშვილი	XVIII საუკუნის ქართულ წყაროებში დაცული ცნობები პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების შესახებ	15 ივნისი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ
49	ნიკოლოზ ჯავახიშვილი	ბალტიის ქვეყნების ასახვა ქართული ემიგრაციის საზოგადოებრივ აზროვნებაში (XX საუკუნე)	10-14 ნოემბერი, საქართველოს მეცნ. ეროვნული აკადემია
50	ნიკოლოზ ჯავახიშვილი	თავად რუსიშვილთა საგვარეულო და მისი გამო-	12-13 ნოემბერი, ივ. ჯავახიშვილის სახ.

		ჩენილი წარმომადგენელი – რაუდენ რუსიშვილი	თსუ
51	ნიკოლოზ ჯავახიშვილი	ქართულ-ლიტვური სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის სათავეებთან (XV საუკუნე)	25-27 ნოემბერი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
52	გიორგი სათიძე	ქართველი სოც-დემოკრატები (მენშევიკები) და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკითხი	17-18 აპრილი, შოთა რუსთაველის სახ. ბათუმის უნივერსიტეტი
53	გიორგი სათიძე	ერეკლე ალექსანდრეს ძე გრუზუნსკის (ბაგრატიონის) /1827-1882/ ცხოვრების ზოგიერთი ეპიზოდი	28-29 მაისი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
54	გიორგი სათიძე	რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები ბათუმის ოლქიდან (1906-1917)	5-6 სექტემბერი, შოთა რუსთაველის სახ. ბათუმის უნივერსიტეტი
55	გიორგი სათიძე	ირაკლი ალექსანდრეს ძე გრუზუნსკი (ბაგრატიონი) და მისი ოჯახის ბედი	25-27 ნოემბერი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
56	გია გელაშვილი	ერთი ინგლისური დოკუმენტი პატრიარქ ამბროსის სასამართლოს შესახებ	17-18 აპრილი, შოთა რუსთაველის სახ. ბათუმის უნივერსიტეტი
57	გია გელაშვილი	ჰერმან კოელერი ბათუმის ოლქის შესახებ (1842)	5-6 სექტემბერი, შოთა რუსთაველის სახ. ბათუმის უნივერსიტეტი
58	გია გელაშვილი	1810-1830-იანი წლების ბრიტანელი მოგზაურები საქართველოში	10-14 ნოემბერი, საქართველოს მეცნ. ეროვნული აკადემია
59	გია გელაშვილი	ერთი ცნობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გერმანიის წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ	12 ნოემბერი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი
60	გია გელაშვილი	ულრიხ რაუშერი გერმანიის ელჩი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1920-1921)	25-27 ნოემბერი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
61	ლოლა სარალიძე	რაიმონ პუანკარე და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია	21 თებერვალი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი
62	ლოლა სარალიძე	აშშ და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია	14-16 მაისი, ივ. ჯავახიშვილის სახ.

		(1921-19022 წწ.)	თსუ
63	ლოლა სარალიძე	ქართველი სამღვდელოების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან (1921-1922 წ.წ.)	17-18 აპრილი, შოთა რუსთაველის სახ. ბათუმის უნივერსიტეტი
64	ლოლა სარალიძე	საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტანტინოპოლის მისია და გიორგი მაჩაბელი	12 ნოემბერი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი
65	ლოლა სარალიძე	ინგლისის ჯარის მიერ ბათუმის დატოვების ისტორიიდან (1920 წ.)	1-2 სექტემბერი, შოთა რუსთაველის სახ. ბათუმის უნივერსიტეტი
66	ლოლა სარალიძე	მეორე მსოფლიო ომი და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია	3-4 ივნისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
67	ლოლა სარალიძე	საქართველოს ემიგრაციული მთავრობის საგარეო-დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან (1921-1922 წწ.)	25-27 ნოემბერი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
68	ლელა მიქიაშვილი	ერეკლე II-ის ანდერძის ავთენტურობის საკითხისათვის	28-29 მაისი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
69	ლელა მიქიაშვილი	ერეკლე II და ალექსანდრე ამილახვარი	25-27 ნოემბერი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
70	ირინა არაბიძე	საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი როდოსის სრულიად მართლმადიდებელთა თათბირზე (1961-1964 წწ.)	28-29 მაისი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
71	მზია ტყავაშვილი	ჯიქები და ჯიქეთი საქართველოს ისტორიაში	11-13 დეკემბერი, ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრი
72	შორენა მურუსიძე	ზეპირი ისტორიები, როგორც საგანმანათლებლო რესურსი (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის პროექტი „მშვიდობის მშენებლობა კულტურის განათლების გზით - ახალგაზრდული ბანაკი აფხაზეთიდან დევნილი	25-29 სექტემბერი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი

		მოსწავლეებისათვის“)	
73	ნატო სონღულაშვილი	საგანმანათლებლო სისტემა საქართველოში (1900-1917)	28-29 მაისი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
74	ნატო სონღულაშვილი	ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში (XX საუკუნის 40-50-იან წლებში)	25-27 ნოემბერი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
75	ქეთევან ხუციშვილი	ახალი პოლიტიკური ელიტის ფორმირება 90-იანი წლების შემდგომ საქართველოში	28-29 იანვარი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ
76	ქეთევან ხუციშვილი	ასირიული თემი საქართველოში	30 იანვარი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ
77	ქეთევან ხუციშვილი	მულტიეთნიკურ საზოგადოებებში ანთროპოლოგიური კვლევის დადებითი და უარყოფითი მხარეები“	5-7 ნოემბერი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ
78	ქეთევან ხუციშვილი	გიორგი ჩიტაიას კომპლექსურ-ინტენსიური კვლევის მეთოდი	10-12 ნოემბერი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ და ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
79	ქეთევან ხუციშვილი	„კარლა სერენას ცნობები საქართელოს შესახებ	25-27 ნოემბერი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
80	ნინო მინდაძე	ადამიანის ეკოლოგიის ხალხური ტრადიციების კვლევა საქართველოში	10-14 ნოემბერი, საქართველოს მეცნ. ეროვნული აკადემია
81	ნინო მინდაძე	გიორგი ჩიტაიას მოღვაწეობის თეორიული ასპექტები	17–18 მაისი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ
82	ნინო მინდაძე	გიორგი ჩიტაიას სამეცნიერო მოღვაწეობის რამდენიმე ასპექტი	10-12 ნოემბერი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ და ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
83	ნინო მინდაძე	გურიის ტრადიციული ყოფის რამდენიმე ასპექტი ისიდორე რამიშვილის „მოგონებების“ მიხედვით	28-29 მაისი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
84	ნინო მინდაძე	ანთროპოეკოლოგიის კვლევის ეთნოლოგიური ასპექტები	25-27 ნოემბერი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და

			ეთნოლოგიის ინსტიტუტი
85	ნინო მინდაძე	არქეოლოგიური არტეფაქტი და ეთნოგრაფიული რეალია	30 მაისი, საქართველოს უნივერსიტეტი
86	ნინო ღამბაშიძე	ვაზი და ქალი - ქართველთა თვითშეგნების ერთ-ერთი კარდინალური სიმბოლო (ეთნოლოგიური ძიებანი)	17-19 აპრილი, თბილისის კონსერვატორია
87	ნინო ღამბაშიძე	კიდევ ერთხელ ალილოსა და ჭონას ურთიერთკავშირის შესახებ	11 მაისი, თბილისის კონსერვატორია
88	ნინო ჩირგაძე	დაავადებასთან დაკავშირებული მდგრადობის მიზეზები იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობაში	28-29 მაისი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
89	ნინო ჩირგაძე	ტრადიციის როლი ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის ახალ გარემოსთან ადაპტაციის პროცესში (ხალხური მედიცინის მაგალითზე)	10-12 ნოემბერი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ და ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
90	ხათუნა იოსელიანი	კავკასიის საფორტიფიკაციო ქსელის მახასიათებლები და ლოკალური თავისებურებები	7-9 სექტემბერი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ
91	ხათუნა იოსელიანი	სვანეთის “მთიულეთის” საეკლესიო საგანძური, ეკლესიები და ციხესიმაგრეები	10-12 ნოემბერი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ და ივ. ჯავახიშვილის
92	ხათუნა იოსელიანი	აზერბაიჯანელთა განსახლებისა და დასახლების ფორმები ქვემო ქართლში	25-27 ნოემბერი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
93	როზეტა გუჯეჯიანი	ეთნიკური იდენტობის შენარჩუნების გზები: ართვინის რეგიონის ქართველთა ხალხური დღესასწაულები (თურქეთის რესპუბლიკა) (ინგლისურ ენაზე)	30 იანვარი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ
94	როზეტა გუჯეჯიანი, როინ მალაყმაძე	ვახტანგ მალაყმაძის (ჰაირი ჰაირიოღლუს) ბიოგრაფიიდან – სვლა წმიდა ილია მართლის	17-18 აპრილი, შოთა რუსთაველის სახ. ბათუმის უნივერსიტეტი

		გზით	
95	როზეტა გუჯეჯიანი	ეთნიკურ ქართველთა განსახლების არეალი და ისტორიის რეპრეზენტაცია ზემო მაჭახელში (თურქეთი)	28-29 მაისი, ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტი
96	როზეტა გუჯეჯიანი	აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია და სვანეთის ტრადიციული ყოფისა და კულტურის კვლევის საკითხები	24-25 ივნისი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ
97	როზეტა გუჯეჯიანი	ისტორიული მახსოვრობის ძირითადი მახასიათებლები თურქეთის ქართველთა ტრადიციულ ყოფაში	28-29 მაისი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
98	როზეტა გუჯეჯიანი	ქართველთა საზოგადოებები და ეთნოკულტურული პროცესები სტამბოლში	10-12 ნოემბერი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ და ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
99	როზეტა გუჯეჯიანი, ქეთევან ხუციშვილი	პიტერ გოლდის ეთნოგრაფიული მასალის კვალდაკვალ	12-13 ნოემბერი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ
100	როზეტა გუჯეჯიანი	ხარების „ჭედობის“ ტრადიცია საქართველოში	21 დეკემბერი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ
101	გიორგი მამარდაშვილი	გივი ელიავა და მისი წვლილი სამეგრელოს ეთნოგრაფიულ შესწავლაში	10-12 ნოემბერი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ და ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
102	გიორგი მამარდაშვილი	აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკური სურათის ისტორიული საფუძვლები და განვითარების დინამიკა	25-27 ნოემბერი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
103	ქეთევან ალავერდაშვილი	საკრალური დრო და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი	10-12 ნოემბერი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ და ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
104	ლელა ნებიერიძე	ტრადიციული გენდერული ურთიერთობები და თანამედროვეობა აფხაზეთიდან გადაადგილებულ მოსახლეობაში (საოჯახო ყოფა)	28-29 მაისი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

105	ლელა ნერბიერიძე	ტრადიციის როლი აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის ახალ გარემოსთან ადაპტაციის პროცესში (ხალხური მედიცინის მაგალითზე)	10-12 ნოემბერი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ და ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
106	როლანდ თოფჩიშვილი	ქართველ მუჰაჯირთა შთამომამავლობის იდენტობის საკითხი	29 იანვარი, შოთა რუსთაველის სახ. ბათუმის უნივერსიტეტი
107	როლანდ თოფჩიშვილი	თურქეთის ქართველთა გვარსახელები	28-29 მაისი, ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტი
108	როლანდ თოფჩიშვილი	აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია: ქართული მეცნიერული ეთნოლოგიის ფუძემდებელი	24-25 ივნისი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ
109	როლანდ თოფჩიშვილი	მარმარილოს ზღვის რეგიონში მცხოვრები ქართველი მუჰაჯირების ანთროპონიმები	24-25 ივნისი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ
110	როლანდ თოფჩიშვილი	ენა და ტერიტორია 2	30 სექტემბერი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
111	როლანდ თოფჩიშვილი	ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ეთნიკურ ერთობათა სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების შემაფერხებელი მიზეზების შესახებ	21-22 სექტემბერი, გელათის მეცნიერებათა აკადემია
112	როლანდ თოფჩიშვილი	ოსური ეთნოგრაფიული ენციკლოპედია ქართულ-ოსური ურთიერთობების კონტექსტში	25-27 ნოემბერი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
113	სალომე ოქრუაშვილი, ირმა კვაშილავა	ჯინჯი ხატი (ძირი ხატი) სამეგრელოში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)	17-18 აპრილი, შოთა რუსთაველის სახ. ბათუმის უნივერსიტეტი
114	სალომე ოქრუაშვილი	კავკასიის ხალხთა ოჯახის შესწავლის ეთნო-სოციალური ასპექტები (ადიღეურ-აბაზური მოდგმის ხალხთა შედარებითი ეთნოსოციალური კვლევისათვის)	25-27 ნოემბერი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
115	ლავრენტი ჯანიაშვილი	სოფლის სამეურნეო და სოციოკულტურული	10-12 ნოემბერი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ

		ტრანსფორმაციის ზოგიერთი ასპექტი პოსტსაბჭოურ პერიოდში (ზემოიმერული სოფლის მაგალითზე)	და ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
116	ლავრენტი ჯანიაშვილი	სომხების განსახლებისა და დასახლების ფორმები ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში	25-27 ნოემბერი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
117	ნათია ჯალაბაძე	კულტურის მარკერები და ეთნიკური იდენტობის ურთიერთმიმართების საკითხი წალკელი ბერძნების მაგალითზე	21 დეკემბერი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ
118	ირმა კვაშილავა	საქართველოს ებრაელთა რელიგიური დღესასწაულების თავისებურებანი	28-29 მაისი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
119	ირმა კვაშილავა	წმინდა შაბათი ქართველ ებრაელთა ყოფაში	25-27 ნოემბერი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
120	ჯონი კვიციანი	კავკასიის მთიელები და კავკასიური ცივილიზაცია (ისტორია და თანამედროვეობა)	7-9 სექტემბერი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ
121	ჯონი კვიციანი	ქართულ-ჩერქეზული ურთიერთობები კავკასიის აგრარულ ცივილიზაციაში: ისტორია და თანამედროვეობა	11-13 დეკემბერი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ
122	ლიანა ბითაძე	აკად. აქლექსანდრე ჯავახიშვილის ანთროპოლოგიური მემკვიდრეობა	22-25 ოქტომბერი, ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი
123	ლიანა ბითაძე, შორენა ლალიაშვილი, დავით ჭითანავა, ე. ყვავაძე, კ. კახიანი, გ. გოგოჭური, გ. ბედიანაშვილი	Памятники Куро-Аракской культуры Грузии и состояние их антропологической изученности	22-25 ოქტომბერი, ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი
124	ლიანა ბითაძე, შორენა ლალიაშვილი, დავით ჭითანავა, თ. ზუბიაშვილი, რ. შენგელია	სვანები კავკასიის ანთროპოლოგიურ რუკაზე	7-9 სექტემბერი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ
125	ლიანა ბითაძე, რ. შენგელია	პოპულაციური განეტიკური კვლევების	10-14 ნოემბერი, საქართველოს მეცნ.

		თავისებურებანი საქართველოში	ეროვნული აკადემია
126	ვლადიმერ ასლანიშვილი	ქვემო ქართლის მოსახლეობა ენეოლით - ადრეულ მტკვარ-არაქსში (ანთ-როპოლოგიურ-პათოლოგიური გამოკვლევა)	9-11 ოქტომბერი, ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
127	ვლადიმერ ასლანიშვილი	ცაგერის წმიდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის ტაძრის საკურთხეველში აღმოჩენილ სამარხში დაკრძალულთა ანთროპოლოგიურ-პათოლოგიური გამოკვლევა, იდენტიფიცირება	19-23 ოქტომბერი, საქართველოს საპატრიარქო, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტი
128	შორენა ლალიშვილი	საქართველოს მოსახლეობის პალეოპათოლოგიური პროცესების შეფასება (ადრეული, განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების მაგალითზე)	22-25 ოქტომბერი, ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი
129	დავით ჭითანავა	„ნეოლითური რევოლუციის" განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორები	25-27 ნოემბერი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
130	დავით ჭითანავა	სამეგრელოს ტოპონიმიიდან („სინწა", „ძაღვა", „უმპია")	28-29 მაისი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
131	დავით ჭითანავა	ძველი კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიიდან (აია–კჳტაია, სიბარისი)	22-25 ოქტომბერი, ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი
132	თეიმურაზ ჯოჯუა	ეფრემ მცირის ჰომილეტიკური კრებულის (S-1276) XV საუკუნის მინაწერების ცნობები წმედისძე-ხახულართა ფეოდალური სახლისა და ტაოს ისტორიის რამდენიმე უცნობი ფაქტის შესახებ	28-29 მაისი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
133	თეიმურაზ ჯოჯუა	„ვეფხისტყაოსნის" უძველესი თარიღიანი სტროფი (1560 წ.) ვინმე ზაქარიას მიერ	1 აპრილი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

		გადაწერილი ტიპიკონის (A-1353) არშიებიდან და კახეთის დედოფლის თინათინ გურიელის შემონაზვნების საკითხი	
134	თეიმურაზ ჯოჯუა	გრიგოლ ფერაძე და კრაკოვის ეროვნული მუზეუმის თავადი ჩარტორიისკების ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ხელნაწერი წიგნები (XI-XVIII სს.)	25-27 ნოემბერი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
135	თეიმურაზ ჯოჯუა	ფანასკერტელთა ფეოდალური სახლის ისტორიის ზოგიერთი საკითხის დაზუსტებისათვის (XIV-XV სს.)	25-27 ნოემბერი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
136	თეიმურაზ ჯოჯუა	წმ. ნინოს ჰიმნოგრაფიული კანონის უცნობი ნუსხა კრაკოვის ეროვნული მუზეუმის თავადი ჩარტორიისკების ბიბლიოთეკაში დაცული XI საუკუნის იანვარ-თებერვლის თვენიდან (Kr.1919)	30 ნოემბერი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
137	თეიმურაზ ჯოჯუა	ხადის წმ. გიორგის ეკლესიის სვინაქსარი (A-222) და მისი მინაწერი საბუთები (XIV-XVI სს.)	15 დეკემბერი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ
მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე			
1	სპეციალურ ლიტერატურაში არმაზი გაიგივებულია სხვადასხვა ღვთაებასთან _ აჰურამაზდასთან, არმასთან, თეშუბთან, ზევსთან, იუპიტერთან, მითრასთან და სხვ. ჩვენი აზრით, ეს იყო ხელოვნურად შექმნილი სინკრეტული სახელმწიფო კულტი ადგილობრივი თუ უცხო ტრადიციებიდან შეთვისებული ელემენტებით. მოხსენებაში ნაჩვენებია არმაზის კულტის პარალელები ხეთურ რელიგიურ ტრადიციასთან სამ სხვადასხვა დონეზე (სახელი, იკონოგრაფია და კოსმოლოგია) და ახსნილია ამ მსგავსებათა მიზეზები.		
2	მოხსენება ეხება ჟურნალ „ქართლოსის” ერთ სტატიას, რომელშიც დასაბუთებულია უძველესი დროიდან მოყოლებული საქართველოს მზარდი გეოსტრატეგიული მნიშვნელობა, რასაც ქართველი ფაშისტების მოსაზრებით აქტუალობა არც II მსოფლიო ომის დროს დაუკარგავს.		
3	ავტორის მიერ მოხსენებაში ის აზრია გატარებული, რომ ბერძნული და ხეთური ტრადიციების მოფსოსი, იგივე მადუვათა მცირე აზიის სამხრეთი ტერიტორიის ლუვიურ მოსახლეობას იმორჩილებს და ძლიერ სახელმწიფოს ქმნის.		
4	მოხსენება ეხება გვიანხეთური ხანის კილიკიის პოლიტიკურ ისტორიას, რომელიც იეროგლიფურ-ლუვიური და ფინიკიური დამწერლობით შესრულებული ტექსტის მიხედვითაა გაანალიზებული და ასახავს		

	ანტიასურული კოალიციის ბრძოლას ასურეთის ექსპანსიური პოლიტიკის წინააღმდეგ.
5	მოხსენება შეეხება თურქეთის ქალაქ ალანიისა და ავანოსის კერამიკის მუზეუმებში დაცულ ექსპონატებს. ავტორი თვლის, რომ ელინისტური და ადრე რომაული ხანის ქალთა საზოგადოებრივი მდგომარეობის განვითარება ცდება იმპერიის საზღვრებს და ორგანულად უკავშირდება ძველ ანატოლიურ ტრადიციებს.
6	მოხსენების თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ნაციის ინტერპრეტაციის ეთნოსიმბოლისტური პარადიგმა, რომლის მიხედვითაც კოლექტიურ-კულტურულ იდებნტობაზე დაფუძნებული ჩვენ-ჯგუფის წარმოშობის თუ თვითშენახვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ეთნიკური რჩეულებობის იდეოლოგიებს. ეს თეორიული მიგნება ილუსტრირებულია ქართული მაგალითით, კერძოდ, მოხსენებაში წარმოდგენილი იყო გვიან ანტიკურობაში ქართველთა რჩეულობის მითი დაფუძნებული პირველწყაროთა ანალიზზე.
7	შუა საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფიის ორი ნიმუში მოქცევაი ქართლისაი და ქართლის ცხოვრება გარკვეული მონაკვეთში მოგვითხრობს ერთიდაიმავე ისტორიულ ფაქტებზე: პირველი მათგანი მოკლედ, მეორე უფრო ვრცლად. თუმც, როგორც ეს არაერთგზის აღნიშნულა სპეციალისტების, მათ შორის, ჩემ მიერაც, განსხვავება ამ ძეგლების თხრობას შორის მარტო მოცულობით არ ამოიწურება. ხშირად არაერთგვაროვანია მათში წარმოდგენილი ფაქტობრივი მონაცემიც და აღწერილ მოვლენათა შეფასებაც. ამ სხვაობათა შეჯერება და ანალიზი, როგორც წესი, ძალიან საინტერესო შედეგებს გვაძლევს არა მარტო ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კუთხით, არამედ ქართული ისტორიული აზროვნების ანუ ისტორიოგრაფიის ისტორიის თვალსაზრისითაც. წინამდებარე სტატიაში ერთ-ერთ ამგვარ შემთხვევაზე შევჩერდები. სიტყვა ეხება ცენტრით მცხეთაში ქართული სახელმწიფოს დაფუძნების ისტორიას.პირველი ტექსტის ანუ მოქცევაი ქართლისაის მიხედვით, როგორც ვნახეთ, არსებობს მემკვიდრეობითობა აიეტის კოლხისსა და მცხეთაში ცენტრის მქონე ქართულ სახელმწიფობრიობას შორის. ეს უკანასკნელი თვისებრივ ახალი რამ არ არის ქართველთა ისტორიაში. მეორე ტექსტის ანუ ქართლის ცხოვრების მიხედვით კი, ეს მემკვიდრეობა თუმც თითქოს გარკვეულად იკითხება სტრიქონებს მიღმა, მაინც ფარნავაზის სამეფო სრულიად ახალი რამ არის პოლიტიკური თვალსაზრისით და კულტურულადაც. ამ ვითარების ერთი პარადოქსი ისაა, რომ ორივე ეს ურთიერთგამომრიცხავი აზრი, სრულიად უპრობლემოდ თანაარსებობს შუა საუკუნეების საქართველოში და მეორე ტექსტის დიდი ემოციური მუხტის მქონე ნარატივი სრულადაც ვერ ახშობს აზრს არიან-ქართველი წინაპრების შესახებ. განსხვავებულ თვალსაზრისთა თანაარსებობის მიზეზი, ჩემი აზრით, უნდა იყოს მეორე პარადოქსი: მიუხედავად ურთიერთგამორიცხველი ინფორმაციისა, ორივე ეს შეხედულება არსებითად სწორია: ფარნავაზის სამეფო აიეტის სამეფოს გაგრძელებაც იყო და სრულიად ახალი ეტაპიც ქართული სახელმწიფოებრიობის და იდენტობის ისტორიაში.
8	მოხსენებაში ნავარაუდევია, რომ „მეფეთა ცხოვრების" ტექსტისეული „იერუსალიმიდან ოტებული ურიაბის" ნაბუქოდონოსორის მიერ ამ ქალაქის აღების შემდეგ ქართლში დამკვიდრების ამბავი, ქართველი მემატიანის მწიგნობრობაში ფართო განსწავლულობის შედეგად უნდა ყოფილიყო შეთხზული და რეალურად მომხდარ ამბებთან არ უნდა ჰქონდეს კავშირი.
9	თურქეთის რესპუბლიკაში, ქ. ერზერუმის (ისტორიული კარნუქალაქი, იგივე სომხური კარინი) ათათურქის სახელობის მუზეუმში დაცული ადამიანის ქვის ქანდაკების ფრაგმენტი, მომხსენებლის აზრით, წარმოადგენს სომეხ ბაგრატიდთა წარმომადგენლის, ანისის მეფის გაგიკ I-ის (ახ.წ. 990–1020 წწ.) აწ დაკარგული ქანდაკების ფრაგმენტს.

10	მოხსენებაში წარმოდგენილი იყო ცდა, დაგვედგინა რომელი დავით მეფეა გამოსახული ევროპულ მინიატურაზე და საიდან იღებს სათავეს ეს მინიატურა.
11	მოხსენებაში ნაჩვენები იყო ეპისკოპოს კირიონის (საძაგლიშვილი) მოღვაწეობა კაუნასთან (კოვნო) ახლოს მდებარე ყოფილ კათოლიკურ მონასტერში (1907 წ.). ხაზგასმული იყო კირიონის ინტერესი პოლონური და ლიტვური კულტურისა და ისტორიისადმი.
12	მოხსენებაში, დოკუმენტურ მასალაზე და ლიტერატურაზე დაყრდნობით, წარმოდგენილი იყო ეპისკოპოს კირიონის მცირე ხნის მოღვაწეობის დახასიათება სოხუმის ეპარქიაში (1906 წ. მეორე ნახევარი – 1907 წ. დასაწყისი) და მისი ტოლერანტული დამოკიდებულება მრავალეთნიკური ეპარქიის ყველა ეთნიკური წარმომადგენლის მიმართ.
13	მოხსენებაში გადმოცემულია მამია დუმბაძის შემოქმედების მთავარი მიღწევები. განხილულია მისი უმთავრესი მონოგრაფიები და საზოგადოებრივი აქტიურობა.
14	მოხსენებაში, დოკუმენტურ მასალაზე და დაყრდნობით, ნაჩვენები იყო რუსეთის იმპერიის მიერ, XIX ს-ის I ნახევარში, საქართველოს, ირანისა და ოსმალეთის უნიკალური ხელნაწერების ძარცვის რამდენიმე მაგალითი.
15	როგორც გაირკვა, ფარსმან მეფის მიერ ახ. 35 წელს პართელთა წინააღმდეგ საბრძოლველად მოწვეული მეომრები, როგორც ეს დღემდე იყო მიღებული, ალანები კი არა იყვნენ, არამედ აზოვის ზღვის აღმოსავლეთით მომთაბარე სარმატი სირაქები.
16	ის ქალაქები, რომელთა შესახებ ცნობებია ვახტანგ გორგასლის „ცხოვრებასა" და ზაქარია რიტორთან ადგილობრივი მოსახლეობის მიერ უნდა ყოფილიყვნენ აგებულნი, იმ ხანად ოსთა წინაპრები ისევ მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ.
17	XVIII ს. დასაწყისში ვახტანგ VI-ის მიერ შექმნილმა „მეცნიერ კაცთა" კომისიამ „ქართლის ცხოვრების" არსებული ტექსტი, სადაც თხრობა XIV ს. 10-იანი წლების ამბებზე წყდებოდა, ენობრივად გამართა, შეიტანა მასში ახალი ჩანართები (განსაკუთრებით საქართველოს ეკლესიის ისტორიიდან) და შეადგინა XIV-XVII სს. ისტორია. ამის შედეგად ჩამოყალიბებულ რედაქციას სამეცნიერო ლიტერატურაში ვახტანგისეული ეწოდა. „ქართლის ცხოვრების" შევსება და რედაქტირება ახლა უკვე „მეცნიერ კაცთა" ხელიდან გამოსული ტექსტის საფუძველზე შემდგომშიც გაგრძელდა. ყველა ეს რედაქცია (ვახტანგისეული და შემდგომიც) ახალი „ქართლის ცხოვრების" სახელწოდებითაა ცნობილი. ახალი „ქართლის ცხოვრების" ციკლის 15–მდე ხელნაწერიდან საკუთრივ „მეცნიერ კაცთა" ხელიდან გამოსული ტექსტი წარმოდგენილია რამდენიმეში. ესენია: რუმიანცევისეული (R), ჯანაშვილისეული (D), ჯალაშვილისეულისა (C^1) და მაჩაბლისეულის (m^1) ახალი ნაწილები, სხვიტორულის პირველი ნაწილი (S^1) და იოანე ბატონიშვილისეული (I). დანარჩენ ნუსხებში წარმოდგენილი ტექსტი რედაქციული მსგავსება–განსხვავებებით ქმნის ორ ძირითად ჯგუფს. პირველში ერთიანდება თეიმურაზისეული, საეკლესიო მუზეუმისა და ურბნული ნუსხები; მეორეში – ბარათაშვილისეული, ფალავანდიშვილისეული, დადიანისეული და სხვიტორულის მეორე ნაწილი; აუცილებელია ხელნაწერთა აღნიშნული კლასიფიკაციის ჯეროვნად გათვალისწინება ახალი „ქართლის ცხოვრების" რედაქციების, მათ შორის, ვახტანგისეულის გამოცემის დროს. ამ უკანასკნელის გამოცემას საფუძვლად უნდა დაედოს ზემოთ დასახელებული ექვსი ხელნაწერი ($RDC^1m^1S^1I$), სადაც წარმოდგენილია საკუთრივ ვახტანგისეული რედაქციის ტექსტი და გაიმიჯნოს ის მოგვიანო ხანის რედაქციებისგან. ამით თავიდან ავიცილებთ ახალი „ქართლის ცხოვრების" სხვადასხვა რედაქციათა ტექსტების გაუმართლებელ შერწყმას.
18	მაშასადამე, ლეონტი ქვეყნების საზღვრების ყოველთვის ცალსახად ოთხივე

	მხრით არ წარმოგვიდგენს. ეს თავისთავად საეჭვოდ აქცევს ჯერ ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოთქმულ და შემდეგ ჩვენს ისტორიოგრაფიაში დღემდე გაზიარებულ დებულებას, რომ კუხეთის საზღვრების ჩვენებისას მარიამისეული ნუსხის პირში რომელიღაც (ალბათ აღმოსავლეთი) მსაზღვრელი გამორჩენილია. ასეთ ვითარებაში არ უნდა გამოირიცხოს აღნიშნულ ნუსხაში კუხეთის საზღვრების მონაცემების იმდაგვარად წაკითხვა, რომ რაიმე ჩამატების გარეშე შეიქმნას შეძლებისდაგვარად სრული შთაბეჭდილება მის ირგვლივ. წყაროს ტექსტში ჩანს სამი მსაზღვრელი: არაგვი, კახეთის მთა და მტკვარი. საკითხით დაინტერესებულ მკვლევართა მთელი ძალისხმევა კი მიმართული იყო მეოთხე მსაზღვრელის დადგენისაკენ. ვინაიდან ისტორიულ-გეოგრაფიული გამოკვლევით დადგინდა, რომ აქ კახეთის მთა ამჟამინდელ ზედაზნის ანუ იალნო-საგურამოს ქედს წარმოადგენს და ეს უკანასკნელი მტკვართან ერთად კუხეთის საზღვრის ორ საპირისპირო, ჩრდილოეთ და სამხრეთ საზღვრებს წარმოადგენს, საძიებელ ობიექტად იქცა არაგვის მოპირდაპირე, აღმოსავლეთი მსაზღვრელი. მემატიანე აქ კუხეთის საზღვრების არა ორ, არამედ ერთ წყვილს წარმოგვიდგენს: ერთი მხრივ არაგვი-კახეთის მთა და მეორე მხრივ მდინარე მტკვარი. თუ კუხეთის ჩრდილოეთი საზღვარი იალნო-საგურამოს ქედია, როგორც ეს უკვე გარკვეულია, მის ჩრდილოეთით კუხეთის მიწა-წყალი აღარაა სავარაუდებელი (იქით უპირობოდ კახეთის ტერიტორიაა საგულვებელი). მაშასადამე, კუხეთის მიჯნად არაგვის მხოლოდ შესართავი (ან მისი მოკლე მონაკვეთი მტკვართან შესართავის მიდამოებში) რჩება. ეს კი ნიშნავს, რომ ტექსტში საზღვრის აღმნიშვნელად იქ სადაც არაგვია ნახსენები უნდა ვიგულისხმოთ არა როგორც მდინარის ხაზი, არამედ როგორც პუნქტი – არაგვის შესართავის მიდამოები. არ უნდა დაგვრჩეს შთაბეჭდილება, რომ საზღვრების ამ სახით წარმოჩენა მასზე ასე თუ ისე სრული წარმოდგენის შესაქმნელად საკმარისი არაა. მისი საშუალებით ჩვენ ვარკვევთ კუხეთის არა მარტო ჩრდილოეთ (ზედაზნის ქედი) და სამხრეთ (მტკვარი) საზღვრებს, არამედ დასავლეთ საზღვარსაც, რომელსაც მემატიანე სრულად გვიხაზავს მდინარე მტკვრის დასახელებით. თვალნათელია, რომ მტკვარი წარმოადგენდა ამ ქვეყნის ერთდროულად დასავლეთ და სამხრეთ საზღვარსაც. რაც შეეხება აღმოსავლეთ მიჯნას, ამის აღმნიშვნელი ცალკე აღებული პუნქტი ან რაიმე გეოგრაფიული ერთეული მითითებული არ არის. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ლეონტი ყოველი მხარის საზღვარს ყოველთვის პირდაპირ არ ასახელებს. ხშირად ასეთი საზღვარი მეტ-ნაკლები სიცხადით იკითხება ქვეტექსტში. ამ შემთხვევაში კუხეთის აღმოსავლეთი საზღვარი უნდა დავინახოთ „კახეთის მთის“ აღმოსავლეთ კიდესა და მდ. მტკვრის შემაერთებელ ჩრდილოეთ-სამხრეთ ხაზზე. ამრიგად, ტექსტში ყოველგვარი ზედმეტი ჩამატებების გარეშე შესაძლებელია, გარკვევით ამოვიკითხოთ კუხეთის საზღვრები და გავიგოთ, როგორ და რა საშუალებებით ცდილობს მემატიანე მკითხველის წინაშე მის წარმოდგენას. მეოთხე მსაზღვრელის არსებობა თავდაპირველ ტექსტში საგულვებელი არ უნდა იყოს. შესაბამისად, ფუჭია ყოველი ძალისხმევა ასეთი მსაზღვრელის ძიებისა და მისი ჩამატებით ტექსტის აღდგენისა.
19	ქართლისა და სომხეთის ეკლესიებს შორის VII საუკუნის დასაწყისში მომხდარ საეკლესიო განხეთქილებას დიდი ხნის განმავლობაში ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მიმდინარე რიგი რელიგიური და პოლიტიკური წინაპირობები გააჩნდა. წინამდებარე სტატიაში სომეხ მღვდელმთავართა მხრიდან ქართული ეკლესიისადმი პრეტენზიების ფონზე წარმოჩენილია ის რელიგიური და პოლიტიკური საფუძვლები, რამაც ეს მეზობელი ეკლესიები სრულ განხეთქილებამდე მიიყვანა. ქალკედონის IV მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილებათა მომხრეებისა

	და მოწინააღმდეგეების შერიგებისმიზნით იმპერატორმა ზენონმა საგანგებო დადგენილება, ე. წ. ჰენოტიკონი გამოსცა. 506 წელს ბიზანტიის გავლენით, დვინში მოწვეულ საერთო სომეხ-ქართველ-ალბანელთა საერთო საეკლესიო კრებაზე აღიარებულ იქნა ზენონის ჰენოტიკონი და დაიგმო ნესტორიანული ერესი. ბიზანტიაში იუსტინეს ტახტზე ასვლის დროიდან (518 წ.), იმპერიის რელიგიური პოლიტიკა შემრიგებლურიდან უშუალოდ ქალკედონიტობისაკენ იხრება. ამის შემდეგ ირანი მონოფიზიტების მხარდამჭერი ხდება. შაჰის მითითებით, სომეხთა კათალიკოსი ნერსე მიჯნით 551-554 წლებში დვინში იწვევს საეკლესიო კრებებს, სადაც სომხეთის ეკლესიამ ოფიციალურად გამოაცხადა მონოფიზიტური კურსი და დაუპირისპირდა მსოფლიო (ბერძნულ-რომაულ) ეკლესიას. ქართლისა და სომხეთის ეკლესიებს შორის დოგმატურმა დაპირისპირებამ ახალი ძალით იჩინა თავი VII საუკუნის დასაწყისში, როცა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ბატონობისათვის ბიზანტიასთან ჭიდილში ირანს კვლავ სრული უპირატესობა აქვს მოპოვებული. გამოკვლევაში ცხადადაა ნაჩვენები ტენდენციურობა ამ განხეთქილების ამსახველი სომხური წყაროებისა („ეპისტოლეთა წიგნი“, უხტანესი), რომელთა მიხედვით, VII საუკუნის დამდეგამდე ქართლისა და სომხეთის ეკლესიებს შორის თითქოს სრული აღმსარებლობით-დოგმატური თანხვედრა არსებობდა.
20	2010 წლის სექტემბერში ზესტაფონის რ-ნის სოფ. ჭალა-ტყიდან ჩამოვიტანე ხელნაწერი საბუთების სამი ფურცელი. მათ შორის იყო ჭალა-ტყის ჯვარცმის ეკლესიის დეკანოზის, აზნაურ ბასილ (ვასილ) მერკვილაძისადმი მიმართული მარიამ იმერეთის დედოფლისა და ეფთვიმე გაენათელი მიტროპოლიტის წერილების პირები. მოგვიანებით ქ. ზესტაფონში მივაკვლიე არქივის დანარჩენ გატანილ ნაწილსაც. მათმა კომპლექსურმა შესწავლამ აშკარა გახადა, რომ ყველა ეს საბუთი მთლიანობაში წარმოადგენდა დეკანოზ ბასილ მერკვილაძის შთამომავალთა საოჯახო-საგვარეულო არქივს. საბუთები შედგენილია მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში (ყველაზე გვიანდელი 1916 წლით თარიღდება). ერთი ნაწილი ქართულ ენაზეა შედგენილი, მეორე – რუსულად. ხელნაწერი საბუთები, ორიოდ გამონაკლისის გარდა (მარიამ დედოფლისა და ეფთვიმი გენათელის წერილები), პირველად წარსდგება ფართო აუდიტორიის წინაშე. აღნიშნულ არქივი იძლევა წარმოდგენას ბასილი მერკვილაძის შთამომავალთა სოციალურ სტატუსზე, ქონებრივ მდგომარეობაზე; მე-19 ს-სა და მე-20 ს-ის დასაწყისში სოფ. ჭალა-ტყეში მცხოვრებ გვარებზე და ა.შ. ამ არქივის მონაცემებზე დაყრდნობით, წარმოვადგენთ ასევე დეკანოზ ბასილ მერკვილაძის შთამომავალთა გენეალოგიას.
21	ლეონტი მროველი საისტორიო თხზულებაში – „მეფეთა ცხოვრება“ – იძლევა ჰერეთის, კახეთისა და კუხეთის უძველეს საზღვართა შესახებ ცნობებს ჰეროსის, კახოსისა და კუხოსის წილი ქვეყნების საზღვრების გადმოცემის სახით. დასახელებულ ქვეყანათა საზღვრების შესახებ ცნობებს გვაწვდის ვახუშტი ბატონიშვილიც. ამ ქვეყნების საზღვართა აღწერის გარდა, ვახუშტი ასევე ჩამოგვითვლის მათში შემავალ სხვადასხვა მხარეებს. ამდენად მის მიერ მოწოდებული ცნობები უფრო მეტ ინფორმაციას შეიცავს. ვახუშტი ბატონიშვილისა და ლეონტი მროველის შესაბამისი მონაცემების შედარებითი ანალიზი ცხადჰყოფს, რომ ჰერეთის, კახეთისა და კუხეთის უძველესი საზღვრებისა და ტერიტორიის გადმოცემისას ვახუშტის ძირითად წყაროს ლეონტი მროველის საისტორიო თხზულება წარმოადგენს. მისი განსხვავებული მონაცემები კი უმთავრესად „მეფეთა ცხოვრების“ ცნობების თავისებური გააზრებისა და ინტერპრეტაციის ნაყოფია, რომელიც გარკვეულწილად გვიანდელი ვითარების გავლენის შედეგად ჩანს მიღებული. ამ

	განსხვავებული გააზრების ძირითადი საფუძველი კი უნდა იყოს ლეონტი მროველთან დასახელებული „კახეთის მთის“ (დღევანდელი იალნო-საგურამოს ქედის) ვახუშტის მიერ შეცდომით თავის თანადროულ „კახეთის მთასთან“ (დღევანდელი კახეთის ქედი) გაიგივება, რამაც გამოიწვია ბატონიშვილის ნაშრომში ჰერეთის, კახეთისა და კუხეთის საზღვრების სხვაგვარად წარმოსახვა, ვიდრე ეს შეიძლება გავიგოთ ლეონტი მროველის მონაცემების მიხედვით.
22	ქართული წყაროების მიხედვით, ერთ-ერთი საკრალური ხე (მარადიული სიცოცხლის სიმბოლო) მცხეთის პირდაპირ ბორცვზე მდგარა. ხე იყო ფოთლოვანი, მარადმწვანე და სურნელოვანი, „მოქცევაი ქართლისაის“ მიხედვით, დაჭრილი ირემი თუ შეჭამდა ხის ნაყოსფს, განიკურნებოდა. მირიან მეფემ სწორედ ხის საკრალურობიდან და სწორედ ამ თვისებიდან გამომდინარე, გადაწყვიტა მისი მოჭრა. ხის მოკვეთას დაესწრნენ მირიანის ძე რევი და ეპისკოპოსი. იგი დაახლოებით ას კაცს მოჰქონდა. ხე ფოთოლდაუცვენელი იყო და მწვანე, როდესაც სხვა ხეები არ იყვნენ აყვავებულნი. ხე 25 მარტს მოჭრეს, პარასკევ დღეს, 37 დღის განმავლობაში ფოთოლს ფერი არ შეუცვლია. სწორედ ამ ხისგან გამოკვეთეს ცნობილი სამი ჯვარი. ვახუშტი მას ნაძვის ხედ მოიხსენიებს, „მსგავსი ალვისა სურნელისა“, თუ რა საფუძველზე არაა ცნობილი. მაგრამ აშკარაა, რომ ხე ფოთლოვანია, ისიც აშკარაა, რომ მარადმწვანე. „მოქცევაჲ ქართლისაჲც“ ფოთლოვან ხეს ასახელებს და არა წიწვოვანს. ალვის ხესთან შედარება უფრო მიუთითებს მის ღვთაებრიობას და მშვენიერებას. „სიცოცხლის ხის“ სიმბოლო „ალვის ხე“, ქართულ ფოლკლორში შეესაბამება მარადმწვანე პირამიდული კვიპაროსის ხეს, რომელსაც დიალექტებში „მირონის ხე“, „გუნდის ხე“ (შდრ. მეგრულად „გუნდაში ჯა“) და „ხეთუფალა“ ეწოდება. სულხან საბა ორბელიანი მას მოიხსენიებს – კჯპაროზი და კჯპრი - „იგივე ალვის ხე, სარო. ბერძულად სარო ჰქვიან, ვიეთნი ალვის ხეს უჴმობენ. მკვლევრის განმარტებით, ალვა არის სუნნელი, საკმეველი. ანუ „ალვის ხე“ სურნელოვან ხეს ნიშნავს, რომელსაც ხის ფისი სდის და მას საკმევლად იყენებენ. ზემოაღნიშნული ფოთლოვანი, და სურნელოვანი ხის პარალელურად, „მოქცევაი ქართლისაიში ნაძვის ხეც იხსენიება: „მახლობელ არს ადგილი იგი (სიდონიას საფლავი და უფლის კვართი) ნაძუსა მას ლიბანით მოღებულსა და მცსეთას აღმალებულსა“ (მოქც 130). სვეტიცხოვლის მშენებლობის დროს „მოჰკუეთეს ნაძჳ იგი და შეამზადეს სუეტად“. მოქცევაის ჭელიშური რედაქცია ხე, რომელიც მოიჭრა კლდოვან ბორცვზე, „კილამორ“ სახელით მოიხსენიებს. მსგავსი ხე მდგარა ებრაელთა სალოცავ-ბაგინზე, რომელიც ასევე მოჭრეს („დასცეს ხეი იგი კილამოი“) და წმ. ნინომ მისგან ჯვარი აღმართა. სულხან საბა ორბელიანის განმარტებით, „კილამონი“ – მირონის სულნელია, ასევე „კალამოკრი“ – მირონის სულნელია ლერწამი. სავარაუდოთ, სურნელოვანი თვისებიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნული მოჭრილი ხე უნდა ყოფილიყო ე.წ. „საკმევლის ხე“, ანუ ე.წ. კევის ხე (pistacia mutica), საღსაღაჯი რომელსაც კახურ დიალექტზე „საკმლის ხე“ და „მარიამსაკმელა“ ჰქვია. იგი ზაფხულმწვანე ხეა, ხშირტოტებიანი და გაშლილვარჯიანი, 2-15 მეტრამდე, ხარობს მშრალ, თიხნარ, კლდოვან ადგილებში და უძლებს ყინვას. ძირითადად შემორჩენილია ვაშლოვანის ნაკრძალში მისი მერქანი ძალიან მაგარია და ძვირფასი, შეიცავს ეთერზეთებს, ფისი გამოიყენება საკმევლად. ხის დასერილი ქერქისგან გამოაქვთ გუმფისი. მის ნაყოფს ეტანება როგორც შინაური, ასევე გარეულ ცხოველებიც. საკმლის ხის კორომი ზოგჯერ შერეულია ისეთ სახეობებთან, როგორიც არის აკაკი, ჯაგრცხილა, მუხა, თელა, ქართული ნეკერჩხალი, ღვია.წმ. ნინოს ჯვრის ნიში გამოუკვეთია მაგარმერქნიან ჯიშის აკაკის ხისგან, რომელსაც ქართულ წყაროებში „ბრინჯის ხე“ ეწოდება. იგი ბარტამ მეფის საჩრდილობელი

	ყოფილა, ხე „მაღალი და რტო მრავალი“ . კავკასიურ აკაკის ხეს (Geltis caucasica Wild) „ხერკინის“ სახელწოდების ქვეშ მოიაზრებენ (ასევე, ლეკის ხე, ურთხელი, ძელქვა, ჩათლაყუჩი/ბელეკონი/კალანოსი). მას მაგარი მერქანი აქვს და ქერქი შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს. არ არის გამორიცხული, რომ ტოპონიმი „რკინის ჯვარი“, სწორედ ხერკინად წოდებული რომელიმე მაგარმერქნიანი ხისგან გამოკვეთილ ჯვარს გულისხმობდეს, რომელიც ანდრია პირველწოდებულმა აღმართა.
23	„ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებულია ზოონიმები – ცხოველთა სახელებთან დაკავშირებული სახელწოდებები, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფი და გავრცელებული ცხოველთა სამყაროს შესახებ, აგრეთვე მათ გავლენას და გამოყენებას სამეურნეო და საყოფაცხოვრებო კუთხით.„ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებულ ზოონიმებში დაფიქსირებულია როგორც გარეული, ასევე, შინაური ძუძუმწოვარი ცხოველები, აგრეთვე, მტაცებელი და ჩვეულებრივი ფრინველები, თევზები. გარდა ამისა, „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებულ ზოონიმებში დაფიქსირებულია ცხოველთა გარეგნული თვისების, მათი გავრცელების არეალის შესახებ. ხშირ შემთხვევაში ზოგიერთი ზოონიმი ისეთ რეგიონშია აღმოცენებული, რომელიც შესაბამისი ცხოველისათვის ბუნებრივი გარემოა. „ქართლის ცხოვრებაში“ დაფიქსირებულ ზოონიმებში ხშირია ისეთი ცხოველების და ფრინველების სახელები, რომლებიც შემორჩენილია ქართულ მითოლოგიურ სამყაროში. ხშირად ისინი ღვთაების ზოომორფულ სახეს, ან თანმხლებ, წმინდა და სამსხვერპლო ცხოველს წარმოადგენდნენ. აქედან გამომდინარე, ბევრი ფრინველი სანადიროდ გამოიყენებოდა, ზოგიერთი ცხოველი კი ნადირობის ობიექტი იყო. ზოონიმები ხშირად მთის, უღელტეხილის, გადასასვლელის („კარი“), ხევის, ციხის სახელწოდებებს ედება საფუძვლად. არსებული მასალიდან გამოიკვეთა შემდეგი ზოონიმები: არწივანი, გავაზი, ყორანთა/ყორნისი/ყორნის ხევი, საყორნე (იმერეთში) ორბის ციხე/ორბეთი/ორბეთის ძირი/ორბნისი (ურბნისი), ძერანა/ძერნა, ქორიანი, საქორიას ხევი (რაჭაში) საბუე, სასირეთის ჭალა, საბატე (თრიალეთში) ფოცხოვი – ფოცხჯ (ჭარი/ჭარო – ს.ს. ორბელიანის ცნობით, ქორის მსგავსი ფრინველია, წყლიდან იტაცებს თევზს), ჩხიკუთა, ჭივჭავი, კალმახის ციხე, კაპოეტის ციხე, კამბეჩანი/კამბეჩოვანი/კამბეჩის ვაკენი, საცხენისი (მთა და ხევი), ცხენის ტერფი (შდრ. ვირისტერფა), ცხენის წყალი, ცხურისის ხევი, საღორე, ველევ-საღორის მთა, საღორე-ნაჯიხვრევის მთა, ღორისთავი, ძაღლის ხევი, ნუკრიანი, ნაჯიხურევი/ნაჯიხურევის მთა, საკურდღლია, კვერნაქი, მგელციხე, მგლის კარი, ფოცხვერიანის ხევი და სხვ
24	კვლევის მიზანია შევადაროთ თარგმანში მოხსენიებული ტოპონიმები ქართულ ტექსტში არსებულ ტოპონიმებს, რა განსხვავება და მსგავსებაა მათ შორის. „ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანს განსვავებული ინფორმაცია მოაქვს ქალაქ რუსთავის სახელწოდებასთან დაკავშირებით, კერძოდ იგი რუსთავს „რიშას“ უწოდებს. იგი ასევე ასახელებს „ბოსტან ქალაქსაც“. ილ. აბულაძე აღნიშნავს, რომ სომხურად ეს სახელწოდება თარგმნილია, როგორც Partizaqauaq – ანუ „პარტიზ-ა-ქალაქი“. რადგან Part&z/Partiz ბაღს, ბოსტანს ნიშნავს, შესაბამისად „პარტიზაქაღაქ“-ი „ბაღის ქალაქს“, ან „ბოსტნის ქალაქს“ ნიშნავს როგორც ვხედავთ, „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი „ბოსტან ქალაქში“ არ გულისხმობს „ვოსტან ქალაქს“, როგორც ამას ამტკიცებდნენ ისტორიკოსები და ამ ტერმინს არასწორად სომხურენოვან ფენას უკავშირებდნენ. ვფიქრობთ, „ვოსტან ქალაქი“, რომელიც სომხურ-რუსულ ლექსიკონში ახსნილია როგორც „თავისუფალი ქალაქი“, ქართულენოვანი სამყაროსთვის უცხო იყო და

	ვფიქრობთ, სამეფო (საუფლისწულო) მამულის აღსანიშნავად არ გამოიყენებოდა ტერმინი „ვოსტანი“, არამედ გამოიყენებოდა „სეფე-ქვეყანა“, ანუ საუფლისწულო. თუკი „ბოსტან“ აუცილებლად „ვოსტანს“ უნდა დავუკავშიროთ, სომხურად „Ost“ (ვოსტ) სიტყვა ნიშნავს ტოტი, გრჯღა, შტო, ვაზის რქა, ლერწი, ყლორტი, ამონაყარი, გამონაზარდი. სემანტიკურად იგი სავსებით შეესაბამება ბაღ-ბოსტანს, რომელსაც ძველ ქართულად შეესაბამება „მტილი“. ამას თუ დავუმატებთ ძველი სომხური თარგმანის სახელწოდებას „პარტიზაქაღაქ“, რომელიც ბოსტნის ან ბაღის ქალაქს ნიშნავს, დავრწმუნდებით, რომ ამ ქალაქს მართლაც „ბოსტან ქალაქი“ რქმევია და ამ სახელწოდებით არაფერ შუაშია „ბოსტანის“ „ვოსტანთან“ დაკავშირება. „რუსთავის“ ეტიმოლოგია, ბუნებრივია, სარწყავ არხს უკავშირდება. რუსთავის ძველი სომხური თარგმანის სახელწოდება „რიშაც“ სავარაუდოთ ჰიდრონიმი უნდა იყოს. ლეჩხუმურ დიალექტზე „რიშ“ ჭურჭელში დანალექს ნიშნავს, ან კიდევ „მდინარის მიერ წამოღებულ თოვლ-ყინულს“. მისი ერთ-ერთი ფორმაა „რეშ“, რაც მესხურ დიალექტზე ნიშნავს „ხრეში, ნიაღვრის მიერ წამოღებული ნამსხვრევი კლდე, ქვა, ღორღი“. „რეშ-ი/რეშვა/დარეშვა“ ზემო იმერულ დიალექტზე ნიშნავს ასევე, დიდ წვიმას, თავსხმას, რაც ბუნებრივად იწვევს ნიაღვარს. გადატანითი მნიშვნელობით მას უნდა უკავშირდებოდეს „რეშ“-ის მეორე მნიშვნელობა ასევე ზემო იმერულ დიალექტზე, რაც ფიცხს, გააფრთებულს ნიშნავს, ეს თვისება კი სავსებით დამახასიათებელია დიდი წვიმის შედეგად მოვარდნილი ნიაღვრისათვის. რუსთავთან დაკავშირებით, „რიშას“ სახელწოდების ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ ინფორმაცია, რომლის მიხედვით, დიდი ნალექის შედეგად მოვარდნილი ნიაღვრის, ან ღვარცოფის შედეგად ადიდებულ წყალს არხში მოჰქონდა დიდი რაოდენობით ქვა-ღორღი, რომელსაც შესაბამისად წმენდნენ. ამრიგად, არ არის გამორიცხული, რომ „რიშას“ სახელწოდებით შემორჩა ინფორმაცია, რომელიც ასევე უკავშირდება რუსთავთან მიმართებაში არსებულ სარწყავ არხსა თუ მდინარეს. ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ ქართულ ისტორიულ აზროვნებაში შექმნილი ტოპონიმი არა უცხო ეთნო-კულტურულ გარემოში უნდა ვეძებოთ, არამედ პირიქით, ქართულ ეთო-კულტურულ სივრცეში, როდესაც ტოპონიმთა უდიდეს უმრავლესობას, განსაკუთრებით კი ჰიდრონიმებს, ახსნა აქვთ ქართულ და ქარველურ ენებზე და მათ დიალექტიკური შესატყვისებიც მოეპოვება.
25	ქართულ წყაროებში ზემოაღნიშნული კერპი მოიხსენიება „გა/გაიმ/გაცა/გაცაჲ“-ს ფორმით, იგი არის ვერცხლის კერპი. სვანურად ქალღმერთ ლამარიას სამსხვერპლო ვერძს, ანუ ვაცს „გიცარ“ ერქვა. იგი შემდგომ ადამიანის სახელად ქცეულა. „სვანეთის საეკლესიო კრების მატიანეში“ მოიხსენიება „გიცარი“ და „გიცარიანი“. ამ კერპს უკავშირდებოდა „მცენარენი და ნაყოფიერებანი“. ნ. მარმა იგი ბიბლიის ტექსტში მოხსენიებულ ასტერტეს შესატყვისად მიიჩნია, მ. წერეთელმა იშთარის მსგავს ძველ ქართულ ღვთაებად მიიჩნია, გ. ქავთარაძე გაცი და გაიმის სახელის ქვეშ ტყუპ ღვთაებებს აპოლონსა და არტემიდეს გულისხმობს, ნ. ნიკოლოზიშვილი კი კიბელა - ატისის მსგავს ღვთაებებს. ჩვენი აზრით, გაცის და გას-თან მიმართებაში კავშირი უნდა ჰქონდეთ ლეზგიურ „გუცარს“, რომელიც ლეზგიურ მითოლოგიაში მოსავლის ღმერთია, მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის მფარველი, ზოგან იგი განმარტებულია, როგორც ტაროსის ღვთაება და ლაკების მითოლოგიიდან მცენარეული სამყაროს მფარველი ღვთაება გუმი, რომლის სახე იყო მცენარის ფესვი. გა მიწის ნაყოფიერების დიდი ქალღმერთია პროტოქართულ სივრცეში ჩამოყალიბებული, რასაც ქართულ-ქართველური ლინგვისტური და ფოლკორული მონაცემები ადასტურებენ. „გა“, „გი“, „გამ“, „გიმ“, „გემ“ („გუემ“) ძირით ძველ ქართულ და ქართველურ ენებში აღინიშნება მიწა და მასთან დაკავშირებული,

	მისგან აღმოცენებული საგანთა სახელწოდებები. „ქართლის ცხოვრების“ ანასეულ ნუსხაში ერთგან გაიმის კერპი მოიხსენიება „გიმ“ ფორმით, რომელიც პირდაპირ ეხმიანება მიწის სვანურ სახელწოდება „გიმს“. მეგრულად „გიმე“ ნიშნავს „ქვევით“, რაც ასევე მიწისკენ, წიაღისკენ მიმართულებას გულისხმობს. „გიმს“ უკავშირდება მჟავე წყლის სვანური სახელწოდება „ზგიმ“, რომელიც მიწის წიაღიდან ამოსულ წყალს ნიშნავს. „გიმ“ მეგრულად ეწოდება ასევე, ჭაში დამაგრებულ თიხის ფილას, მიწა რომ არ ჩაყრილიყო. ასევე, ძველ ქართულად „გჳმი“, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, არის „ჯურღმულის თორნე წყალთათვის, ანუ თორნე ჭის წყლისა“. საინტერესოა აგრეთვე, ძველი ქართული სიტყვა „გამანაგი“, რომელიც სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ერთი დღის ნახნავს ნიშნავს. ასევე, ყურადღებას იპყრობს სვანური სიტყვა „ლაგამ“, რომელიც ერქვა მიწაში ხვრელს, სადაც ლამარიას სახელზე გამომცხვარი მიწაში შესანახი კვერის „ლეშხვნის“ შენახვა ხდებოდა (შდრ. „გიმი ლიმზირ“/მიწის ლოცვა, „ალაგი ლიხელეს“ დროს სეფისკვერების დაფვლა კერის წინ და მიწის სალოცავები სვანეთში). ამასთან დაკავშირებით ძალზედ საინტერესოა ხეთური სიტყვა Gam, Gam-an, Gam-anta, რაც ნიშნავს ქვევით, ქვევითკენ, დაღმა. თუ გავითვალისწინებთ მკვლევართა მიერ არაერთ მეცნიერულად დასაბუთებულ კონცეფციას ქართველური ენების ნათესაურ კავშირთან დაკავშირებით ხათურ ენასთან, შესაძლებელია გამოვთქვათ მოსაზრება, რომ სვანური „ლა-გამ“ და ხეთური „გამ“ მიწისკენ, მიწის წიაღისკენ მნიშვნელობასთან მიმართებაში ქართულ/ქართველური ენებიდან იგივე მნიშვნელობით, ხათური ენის მეშვეობით გავრცელდა ხეთურში. ამ სიტყვის მნიშვნელობა კი რელიგიური და საკრალური გაგებით მხოლოდ ქართულმა და სვანურმა შემოინახა. სვანურად, მიწიდან აღმოცენებულ მარცვლეულის (შდრ. „მეგემ“-მცენარე) შესანახ ნაგებობას „გუემ/გემ“ ეწოდება, სადაც სპეციალურ კიდობანში „ლამარიაში ტაბლაში“ იყო შენახული. ეს გახლდათ საუკეთესო ხარისხის ხორბლის ფქვილი, რომელსაც ახალი წლისა და ზამთრის დღეობებისთვის იყენებდნენ. „მოქცევაი ქართლისაის მიხედვით კერპებს თავზე აყრიდნენ შეწირული მსხვერპლის (შეიწირვოდა მათა ერთი სეფეწული ცეცხლითა დაწუვად“) ნაცარს, რაც ნაცრით, როგორც მნიშვნელოვანი სასუქით მიწის განოყიერების მისტერიაა. სვანური ფოლკლორიდან გა/გაიმს უკავშირდება სვანური საკულტო სიმღერა „გა“, რომელიც ჩაწერილია სოფელ ეცერში. გა-ს საგალობლით ღვთაებას მიწის სიუხვეს და ქალის დაშვილიანებას ევედრებოდნენ, რაც ორივე მხრივ, ნაყოფიერებას უკავშირდება. „გა“-ს საგალობელი საღმრთო-საკულტო სიმღერად, ანუ ჰიმნად მიიჩნევა. იმავე ჰიმნს ასრულებდნენ ოჯახში სარძლოს მოყვანისას. გა-ს საგალობელს აღდგომის კვირაში ასრულებდნენ. „გა“-სთან დაკავშირებული რიტუალები სამწუხაროდ სვანურ ფოლკლორშიც აღარ არის შემორჩენილი. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ იგი ფუნქციურად მიწის ნაყოფიერების მფარველ რომელიმე ქალღმერთს შეერწყა. სვანურ დღეობათა კალენდარში მიწასა და ნაყოფიერებასთან დაკავშირებული რიტუალები უკავშირდებოდა ქალღმერთ „ლამარიას“. მიწის ბარაქიანობას და მოსავლის სიუხვეს აღმოსავლეთ საქართველოში ადგილის დედას ევედრებოდნენ. ქრისტიანობის მიღების შემდეგ კულტი ღვთისმშობელს შეერწყა, რასაც ადასტურებს ხევსურული ფორმა „ადგილის ხთიშობელი“. ქართულ ხალხურ ფოლკლორში „გა/გაიმის“ გამოძახილი ჩანს მზეთუნახავ „ქალ-გამას“ სახელწოდებაში. იგი ამირანის მითის ქართლური ვერსიის მიხედვით, ამირანის ატრფოს სახელწოდებაა.
26	მოხსენებაში განხილულია საქართველოს მთავარი მდინარეების ეტიმოლოგიური კვლევა, რაც ქართული ენის დიალექტური მონაცემებით იხსნება. ჰიდრონიმები გეოგრაფიულ სახელწოდებათა ყველაზე ძველი და მყარი ფორმებია. ისინი უფრო

	ცხადყოფენ ამა თუ იმ ერის ძველი ენის გავრცელების არეალს და მის უძველეს საცხოვრისს, რადგან წყლის აღმნიშვნელი გეოგრაფიული სახელწოდებანი წარმოიშვება სწორედ იმ ენაზე, რომელზეც საუბრობს მის ტერიტორიაზე განსახლებული საზოგადოება. ჩვენ მიერ განხილული მდინარეთა სახელწოდებებია: მტკვარი, ჭოროხი, ლიახვი, ალაზანი. ყველა ამ მდინარის სახელწოდება ეტიმოლოგიურად აიხსნება უძველესი ქართული ლექსიკიდან, რომელთა მნიშვნელობები დიალექტებში შემოგვრჩა. ისინი დაკავშირებულია წყალუხვობასთან, დიდ წყალთან და მასთან დაკავშირებულ მოვლენებთან. მაგ.: მტკვრის/მტკუარის ფუძე „კურ“ უნდა უკავშირდებოდეს სარდურ II წარწერაში მოხსენიებულ „კურიანას ქვეყანას“, რომელიც მტკვრის სათავეებსაც მოიცავდა და შესაძლოა მდინარესაც მისი სახელი დარქმეოდა. „კურ“ სიტყვა მთიულურ და გუდამაყრულ დიალექტზე მოვარდნილ ნიაღვარს ნიშნავს. ასევე, ქართული ენის დიალექტებში „კურ/ქურ“ ძირით („კურნე“, „ქურუნი“, კურცხლ/კურწყალი) გვხვდება წყლის რეზერვუართან დაკავშირებული სახელწოდებები. ქართლურ დიალექტზე ჭოროხი არის იგივე რიყე, ჭერეხი, ადიდებული მდინარის, ან ნიაღვრის მიერ „მოტანილი ნარიყი, ქვიშა, ღორღი და ლამი“. დიდ წყალს ქართლურ დიალექტზე უკავშირდება ასევე, „არაზანი“, რომელიც „თავსხმა წვიმას“ ნიშნავს, მთიულურ და ფშავურ დიალექტებზეც „არზანი“ „დიდ წვიმას“ ნიშნავს ელჭექითა და ქარიშხლით. მოცემულ შემთხვევაში რ-ს ლ-ში გადასვლა (არაზანი-ალაზანი) ჩვეულებრივი მოვლენაა. ლეჩხუმერ დიალექტზე „ლიაღვი“ (შდრ. ლიახვი) ადიდებულ, ამღვრეულ მდინარეს ნიშნავს, ასევე რაჭულ დიალექტზე „ალიახვება“ მდინარის ადიდებას და ამღვრევას ნიშნავს.
27	მოხსენებაში განხილული იყო ქრისტიანული აპოკალიფტიკის ცნობილი ტექსტი – “პავლეს აპოკალიფსი” და ამ აპოკრიფის ქართული ვერსიების მნიშვნელობა მისი შესწავლისას. ცნობილია, რომ “პავლეს აპოკალიფსმა” უდიდესი გავლენა იქონია შუა საუკუნეების ესქატოლოგიურ ლიტერატურაზე და წარმოდგენებზე განსაწმენდელის შესახებ. პავლეს ხილვით დავალებულია დანტეს “ჯოჯოხეთიც”. პავლე მოციქულის ზეციურმა მოგზაურობამ და სამოთხისა და ჯოჯოხეთის სურათებმა განსაზღვრა აპოკალიფსის არნახული პოპულარობა დასავლურ ქრისტიანობაში. მაგრამ, მიუხედავად ესქატოლოგიური მოტივებისა და აპოკალიფსის არაერთი ხელნაწერისა, ქართულ სინამდვილეში, ისევე როგორც, ზოგადად, აღმოსავლურ-ქრისტიანულ ტრადიციაში, აპოკრიფმა ვერ ჰპოვა გავრცელება. “პავლეს ხილვამ” ვერ გაიზიარა სხვა აპოკალიფსის, “ღვთისმშობლის მიმოსლვის” პოპულარობა, რომელმაც იგივე როლი შეასრულა აღმოსავლურ ქრისტიანობაში, რაც “პავლეს აპოკალიფსმა” დასავლეთში. როგორც ჩანს, დოგმატურ განსხვავებებზე მეტად ამის მიზეზი მენტალურ განწყობილებებში უნდა ვეძიოთ.
28	მოხსენების საკითხს წარმოადგენდა ბერძნულ-რომაულ საისტორიო წყაროებში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოხსენიებული ტომების სახელწოდებების გარკვევა. მოხსენებაში შევეცადე დამესაბუთებინა, რომ ზოგიერთი ბერძნულ-რომაული სახელწოდება კრებითი მნიშვნელობის და რეალურად ამა თუ იმ ტომის სახელწოდებას არ წარმოადგენდა. მაგალითად ფთეიროფაგები – გირჩისმჭამელები. სამხრეთ- აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მცხოვრები დასავლურ ქართული, ჭანური მოდგმის ტომის – დრილების სახელი კი პირდაპირ ბერძნულ თარგმანს წარმოადგენს და მურღულის ხეობის მკვიდრთ მიემართება. ასევე ბერძნული წარმომავლობის უნდა იყოს ეთნონიმი ლაზი, რომელიც დასავლეთ საქართველოს მაცხოვრებლებს მიემართებოდა. ბერძნული ლაზია ქართულად ხშირ ბუჩქნარს ნიშნავს და კოლხეთის დაბლობზე განსახლებულ ჭანების სახელწოდებად გამოიყენეს ანტიკური ხანის ავტორებმა.

	სალტიების ტომში იგივე ძნელად გასასვლელი ტყიანი ადგილი იგულისხმება. ე. ი. ბერძნული „ლასიო” იგივეა რაც ლათინური „სალტია”.
29	XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში გამოიცა „საქართველოს სსრ საზოგადო რუკა, შემუშავებული საქართველოს კარტოგრაფიულ ინსტიტუტში და გამოცემული სახელმწიფო გამომცემლობის მიერ 1931-32 წწ. პროფესორ ალ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით, მასშტაბი 1: 200 000”. ეს უნიკალური ნაშრომი დღეს რარიტეტულ იშვიათობას წარმოადგენს. ალ. ჯავახიშვილის თაოსნობით გამოცემული ეს რუკა, სადაც დაწვრილებით არის დატანილი იმდროინდელი ყოველი დასახლებული პუნქტი, ასევე ჰიდროგრაფიული ქსელი, თვით უმცირესი მდინარეების ჩათვლით, მთების და ქედების სახელწოდებები და სხვა, უმნიშვნელოვანეს მასალას გვაწვდის არა მარტო ფიზიკურ-გეოგრაფიული აღწერილობის კუთხით, არამედ მეტად საინტერესო და საჭირო ცნობებს შეიცავს ისტორიული გეოგრაფიის და ტოპონიმიკის კვლევის თვალსაზრისით. ამ რუკაზე მოცემული სახელწოდებების ნაწილი დღეს სხვა სახელწოდებებით გვხდება, ან შეცვლილი ფორმით. ამ მხრივ ძველი, ისტორიული სახელწოდებების აღდგენის მიზნით ეს საზოგადო რუკა თავისებურ საისტორიო დოკუმენტის მნიშვნელობასაც იძენს. საქართველოს სხვადასხვა კუთხეების ისტორიული გეოგრაფიის საკითხების შესწავლისთვის საზოგადო რუკის გამოყენება დღეისთვის აქტუალურია, თუმცა განსაკუთრებით ფასდაუდებელია რუკის ის ნაწილი, რომელიც თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიას ეხება.
30	მოხსენებაში განხილულია საქართველოში მოქმედი სექტების: ბაპტისტების, მოლოკნების, იეღოველების და სხვ. საქმიანობა და მათი დამოკიდებულება საქმიანობისადმი.
31	1918 წლის 28 მაისს, გერმანიათან ხელშეკრულებს გაფორმებისთანავე საქართველოს დელეგაცია გაემგზავრა ბერლინში, სადაც რაიხსტაგში უნდამომხდარიყო ხელშეკრულების რატიფიკაცია. ამასთან, სახელმწიფოს მეთაურებთან, მთავრობის წევრებთან გაფორმებულიყო თანამშრომლობის კონკრეტული პროგრამები. საქარტველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა აკაკი ჩხენკელი. დელეგაციაში შედიოდნენ ნიკო ნიკოლაძე, ზურაბ ავალიშვილი, სპირდონ კედია. მოხსენება ეყრდნობა აკაკი ჩხენკელის პირად არქივში დაცულ მასალებს [სცსსა, ფონდი 1831),ქართული ელჩობის საქმიანობის შესახებ.
32	საარქივო მასალების საფუძველზე გამოკვლევაში შესწავლილი და შეფასებულია 1922 წლიდან ქართულ ემიგრაციაშიმიმდინარე მოვლენები, კონკრეტულად საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლის რაფიელ-ივანიცკი-ინგილოს შეხვედრები რომის პაპთან, კენტერბერიის ეპისკოპოსთან და სხვა საეკლესიო და პოლიტიკურ პირებთან. ასევე, მისი საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების დეტალები.
33	„რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შეფასება მამია დუმბაძის ნაშრომებში.“მოხსენებაში განხილულია საქართველოს ისტორიის ნარკვევების IV ტომში შესული მამია დუმბაძის სტატიები. მათში, საბჭოთა კონიუნქტურისაგან თავისუფალი აზროვნებაა რუსეთის იმპერიული პოლიტიკის შეფასებაში, რაც დაწვრილებით განიხილა მომხსენებელმა. ესაა: 1. 1783 წლის ტრაქტატის არათანაბარი დამოკიდებულება ხელმომწერი სახელმწიფოების მიმართ; 2. ტრაქტატის დარღვევა რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოდან ჯარის გაყვანით – 1787 წელს; 3. აღა-მაჰმად-ხანის შემოსევისას დახმარების გაუწევლობა; 4.გიორგი XII–ის „სათხოვარი პუნქტების“არასწორი ინტერპრეტაცია და საქართველოს სამეფოს ინკორპორაცია რუსეთის იმპერიაში. მეცნიერის ღვაწლი შეფასებულია ავტორის მიერ როგორც ქართული ისტორიოგრაფიის გარკვეული შენაძენი.
34	ცნობილი ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ამიერკავკასიის რესპუბლიკისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო

	საქმეთა პირველი მინისტრი, საქართველოს ელჩი ევროპაში, ემიგრანტი მოღვაწე და დიდი პატრიოტი – აკაკი ჩხენკელი (1874-1959) თავისი დროისათვის გამორჩეული პიროვნება იყო. მიუხედავად სოციალ-დემოკრატობისა, ის არასდროს შემოზღუდულა პარტიული ინტერესებით და ეროვნულ იდეალებს ყველაზე მაღლა აყენებდა. ჩხენკელი განსაკუთრებული სიყვარულითა და პასუხისმგებლობის გრძნობით იყო დაკავშირებული აჭარასა და ბათუმთან. ის 1912 წელს, IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად აირჩიეს სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან. სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მას დაუპირისპირდნენ სოხუმის ქალაქის თავი ნიკო თავდგირიძე, „ბატუმსკი ვესტნიკის“ რედაქტორი გრიგოლ ვოლსკი, მაგრამ მისი ძირითადი მოწინააღმდეგე იყო ალექსანდრე შერვაშიძე. აკაკი ჩხენკელმა მეტი ხმა მიიღო და გახდა დეპუტატი აფხაზეთიდან და ბათუმ-ყარსის ოლქიდან. როგორც დეპუტატი, ჩხენკელი სათათბიროს ტრიბუნიდან პოლიტიკურად აქტიურობდა,სათათბიროში ის საგარეო დარგში მოღვაწეობდა, ხელმძღვანელობდა შეკითხვათა კომისიას. ის იყო ასევე სოციალისტური ინტერნაციონალის ფრაქციის წევრი. განსაკუთრებული იყო მისი დამოკიდებულება I მსოფლიო ომის დროს იმპერიის ხელისუფლების მიერ სახელმწიფო ღალატში დადანაშაულებული აჭარლების მიმართ. ჩვენ მოვიძიეთ და ქართულად ითარგმნა დოკუმენტი, რომელიც აჭარის საზოგადოებამ წარუდგინა აკაკი ჩხენკელს, როგორც მის წარმომადგენელს სახელმწიფო სათათბიროში. დოკუმენტი მეტად მნიშვნელოვანია, რადგან მასში მოტანილია მანამდე სპეციალურ ლიტერატურაში, მათ შორის ბათუმელი მკვლევრების მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციულად ტევად ნაშრომებში აღუნიშნავი ფაქტები. ის არც ამ საკითხზე საკმაოდ ვრცელი ნაშრომის ავტორს, მალხაზ სიორიძეს არ აქვს განხილული.
35	მოხსენებაში ხაზი გაესვა აკაკის მიერ ბიზანტიის ისტორიის დეტალების ცოდნას. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან მას მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული. შრომაში განხილულია ის ისტორიული სინამდვილე, რაც აღწერილია მხატვრულ ტექსტში: დავით III კურაპალატის მონაწილეობა ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩაქრობაში, 12 ათასი ქართველი მხედრობის გაგზავნა თორნიკე ერისთავის სარდლობით, ქართული, სომხური დაბიზანტიური წყაროების მონაცემები ამ თემებზე, მათ შორის წინააღმდეგობა და დამთხვევები, აკაკი წერეთლის მიერ გამონაგონი გმირები, მხატვრული და ისტორიული იდეალი, რომლითაც გაჟღენთილია ტექსტი.
36	მოხსენებაში განხილულია ა. ჩხენკელის შეხვედრები გერმანელ დიპლომატებთან – მიულერთან, ბარენბერგ-გოსლართან და შტამერთან, 1921 წლის მაის-ივნისში. რთული იყო საქართველოს გასაბჭოების შემდეგ საქართველოდან ემიგრირებული პოლიტიკოსების მდგომარეობა. ევროპაში წასული საქართველოს კანონიერი მთავრობა და მისი ყველა წევრი შეურიგებლად იბრძოდა რუსული ბოლშევიკური ხელისუფლების აგრესიის წინააღმდეგ და ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის დიპლომატიურ გზებს ეძებდა ამ საკითხის საერთაშორისო სამართლებრივი კუთხით დასაყენებლად. ჩხენკელი ამ საქმის აქტიური ხელმძღვანელი და კოორდინატორი იყო. მას, როგორც ევროპაში საქართველოს ელჩს, კანონიერი ხელისუფლების რწმუნებულს, ჰქონდა უამრავი შეხვედრა ევროპელ ლიდერებთან, არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის მომავალი ბედის საკითხზე. მსოფლიო ომის შემდეგ განვითარებული პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის გამო, საკუთარი პრობლემებითა და ინტერესებით დატვირთული ევროპის დიდი სახელმწიფოები ქართველ პოლიტიკოსთა მოთხოვნებს ნაკლებად

	ითვალისწინებდნენ, მას მხოლოდ მაშინ აქცევდნენ ყურადღებას, როდესაც მათი ქვეყნისა და ქართველი ხალხის ინტერესები ერთმანეთს ჰკვეთდნენ. თუ რას ცდილობდა ქართული დიპლომატია, რა ურთულეს პირობებში იბრძოდა ქართული სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად, კარგად ჩანს იმ შეხვედრებისა და დიპლომატიური ურთიერთობის ამსახველი მასალების გაცნობისას, რაც 1921 წელსვე, ჩხენკელისა და მისი თანამებრძოლების მიერ განხორციელდა.
37	მოხსენება ეყრდნობა აკაკი ჩხენკელის პირად არქივში მოპოვებულ მასალებს ქართული ემიგრაციის პოზიციაზე II მსოფლიო ომში. ბევრი მასალა საინტერესოა იმით, რომ ასახავს სხვადასხვა თვალსაზრისს, ემიგრანტთა შორის განსხვავებულ მიდგომას ომში მონაწილე ქვეყნებისადმი. ეს შეხედულებები საქართველოს ინტერესებს ემსახურებოდა და ემიგრანტთა სურვილს გამოხატავდა – ყველა საშუალებით ებრძოლათ სამშობლოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.
38	მოხსენებაში განხილულია საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოზე თავდასხმა და მისი ოკუპაცია, წარმოჩენილია საბრძოლო ოპერაციები. პირველად სამეცნიერო ლიტერატურაში გამახვილებული ყურადღება იმ შეცდომებზე, რომელიც ქართულმა სარდლობამ დაუშვა. კრიტიკულად არის შეფასებული ქართველი გენერლების: გიორგი კვინიკაძის და გიორგი მაზნიაშვილის მემუარებში გამოთქმული შეხედულებები ქართული შეიარაღებული ძალების სამხედრო პოტენციალი.
39	მოხსენებაში კრიტიკულად არის შეფასებული ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ჟორდანიას მთავრობისადმი გამოთქმული არასწორი ბრალდება ბათუმის ოლქის ოსმალეთისადმი „ნებაყოფლობით“ გადაცემის შესახებ. ახალი საარქივო დოკუმენტური წაყაროების გათვალისწინებით, ნაჩვენებია, რომ დამარცხებული მთავრობა შემორჩენილი ძლებით მედგარ წინააღმდეგობას უწევდა მტერს. მათ ქართველმა ბოლშევიკებმაც აღმოუჩინეს დახმარება. გიორგი მაზნიაშვილის აქ ყოფნამ გადამწყვეტი როლი შეასრულა აჭარის ტერიტორიის შენარჩუნებაში.
40	მოხსენებაში განხილულია XIX-XX საუკუნის მიჯნაზე ქართველი სამღვდელოებისა და მოწინავე საზოგადოების აქტიური ბრძოლა დაკარგული ეკლესიის თავისუფლების აღდგენისათვის.
41	წერილობით წყაროებზე დაყრდნობით ნაშრომში მიმოხილულია წმ. ანდრია პირველწოდებულის ღვაწლი საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებაში.
42	ნაშრომში დღემდე უცნობ მასალაზე დაყრდნობით შესწავლილია რაფიელ ივანიცკი-ინგილოს ემიგრაციაში მოღვაწეობის პერიოდი. პირველად ქვეყნდება მისი წერილები რომის პაპის, კენტერბერიელი არქიეპისკოპოსისადმი და ერთა ლიგისადმი ბოლშევიკების მიერ დევნილი საქართველოს ეკლესიის უფლებების და მისი მწყემსმთავრის ამბროსი ხელაიას უფლებების დაცვისათვის.
43	უცნობი საარქივო მასალაზე დაყრდნობით შრომაში განხილულია იტალიაში რაფიელ ივანიცკი-ინგილოს კულტურული მოღვაწეობის ერთი ფაქტი. მან იტალიურ ენაზე თარგმნა და გამოსცა საქართველოს შესახებ ნაშრომი. ეს ნაშრომი მან უძღვნა ,,ვეფხისტყაოსნის'' 750 წლისთავს. აქვე გამოქვეყნებულია მისი წერილი იტალიის ფაშიზმის ფუძემდებელთან მუსოლინთან.
44	ნაშრომში დასაბუთებულია თუ რა პრინციპის მიხედვით იქნა ილია ჭავჭავაძე წმინდანად შერაცხული.
45	ნაშრომში გაშუქებულია თუ რა დაინტერესებას იჩენდა ბრიტანეთის პოლიტიკური სასულიერო ელიტა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ. ნაშრომი ძირითადად ეყრდნობა ღემდე უცნობ წერილობით წყაროებს.

46	ნაშრომში წარმოჩენილია წმ. კირიონ სამაგლიშვილის ღვაწლი მეცხრამეტე საუკუნის პრობლემების კვლევაში, ყურადღება გამახვილებულია კვლევის მეთოდებზე და სხვა.
47	მოხსენებაში შესწავლილია ბიოგრაფიის უცნობი ფურცლები სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის მელქისედეკ მესამისა, რომელიც ამ ფრიად საპატიო თანამდებობაზე მოღვაწეობდა 1952-1960 წლებში, ფურცლები სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის კალისტრატეს გარდაცვალების შემდეგ.
48	მოხსენებაში შესწავლილია თუ როგორ აისახა პოლონეთი და ბალტიისპირეთი მეთვრამეტე საუკუნის ქართულ წყაროებში. მათ შორის იყო ქართლის მეფის ვახტანგ მეექვსის, უფლისწულ ვახუშტი ვახტანგის ძე ბაგრატიონის, უფლისწულ ლეონ ბაქარის ძე ბაგრატიონისა და ვახტანგ მეექვსის ამალის წევრის გაბრიელ გელოვანის თხზულებები. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ ხსენებული ეპოქის ქართულ ინტელექტუალურ ელიტას საკმაოდ მკაფიო წარმოდგენა ჰქონდა პოლონეთსა და ბალტიისპირეთში იმხანად განვითარებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ პროცესებზე.
49	მოხსენებაში შესწავლილია თუ როგორ აისახა ბალტიის ქვეყნები ქართული ემიგრაციის საზოგადოებრივ აზროვნებაში XX საუკუნის ოციანი წლებიდან - 90-იანი წლების დასაწყისამდე. დადგენილია, რომ ქართველი ემიგრანტები ბალტიის ქვეყნებს - ლიტვას, ლატვიასა და ესტონეთს თავიანთ მოკავშირეებად აღიქვამდნენ და მათ მიმართ მხარდაჭერას გამოხატავდნენ.
50	მოხსენებაში შესწავლილია თავად რუსიშვილთა საგვარეულო და მისი გამოჩენილი წარმომადგენლის, ქიმიკოს რაჟდენ გრიგოლის ძე რუსიშვილის (1900-1984) მოღვაწეობა ემიგრაციაში - გერმანიასა და დიდ ბრიტანეთში.
51	მოხსენებაში შესწავლილია თუ საიდან დაედო სათავე ქართულ-ლიტვური სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის ისტორიას. დადგენილია, რომ ლიტვის დიდ მთავარს, იაგელონთა დინასტიის წარმომადგენელს - ალექსანდრეს 1495 წელს ეწვია ქართლის მეფის კონსტანტინე მეორის ელჩი და გადასცა თავისი მონარქის შეთავაზება ანტიოსმალურ კოალიციაში ჩაბმის შესახებ. ქართველ ელჩს მიჰქონდა კონსტანტინე მეორის წერილი ესპანეთის დედოფალთან იზაბელასთან, რომლის ტექსტიც შეიტანეს „ლიტვის მეტრიკაში“.
52	მოხსენებაში ყურადღებაა გამახვილებული რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში ქართველი დეპუტატის, სოც-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, ევგ. გეგეჭკორის გამოსვლაზე, რომელმაც საქვეყნოდ დაგმო ის კოლონიზატორული პოლიტიკა, რომელსაც რუსეთის წმინდა სინოდი იჩენდა საქართველოს ეკლესიის მიმართ და საეკლესიო კანონების დარღვევით ანხორციელებდა ქართველი მრევლის შევიწროვებას, მისი ეკლესია-მონასტრების ნგრევას, მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვის ცატარებას და ა.შ. იგი მადლიერებით მოიხსენიებდა რუსი მოღვაწის, ნიკოლოზ დურნოვოს მამხილებელ ნაშრომებს, მიმართულს რუსეთის წმ. შინოდის კურსის წინააღმდეგ.
53	მოხსენება ეხება ერეკლე II-ის შვილიშვილის, ერეკლე ალექსანდრეს ძე გრუზუნსკის (ბაგრატიონის) /1828-1882/ ცხოვრების გზას, პიროვნებისას, რომლის მამა – ალექსანდრე ბატონიშვილი ბოლომდე შეურიგებელი დარჩა რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკის მიმართ და თავისი სიცოცხლე ირანში დაასრულა, ხოლო მისი ერთადერთი შვილი, რომელიც მამის ზრუნვის გარეშე აღიზარდა, ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი სამშობლოსი, პეტერბურგში

	ცხოვრებას – თბილისში ყოფა არჩია, სადაც 55 წლის ასაკში გარდაიცვალა კიდეც და პატივი ერგო თავისი დიდი პაპის – ერეკლე II-ის გვერდით დასაფლავებისა სვეტიცხოვლის ტაძარში.
54	მოხსენებაში საუბარია იმ ქართველ დეპუტატებზე (პროკოფი შერვაშიძე, კონსტ. კანდელაკი, აკაკი ჩხენკელი), რომლებიც არჩეული იყვნენ ბათუმის ოლქიდან და სოხუმის ოკრუგიდან რუსეთის I, III და IV სახელმწიფო სათათბიროებში და ძალ-ღონეს არ იშურებდნენ თავიანთი ამომრჩევლების საჭირბოროტო საკითხების წარმოსაჩენად. განსაკუთრებით აღსანიშნავია დეპუტატ აკაკი ჩხენკელის გამოსვლა 1912 წლის აჭარის მაჰმადიანი ქართველების ინტერესების დასაცავად.
55	მოხსენება ეხება ერეკლე II-ის შვილიშვილის, ირაკლი ალექსანდრეს ძე გრუზუნსკის (ბაგრატიონის) ცხოვრების გზას და მისი ოჯახის ბედს. Iგი ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი სამშობლოსი და პეტერბურგში ცხოვრებას – თბილისში ყოფა არჩია, სადაც 55 წლის ასაკში გარდაიცვალა და დასაფლავებულია სვეტიცხოვლის ტაძარში თავისი დიდი პაპის – ერეკლე II-ის გვერდით.
56	ეს დოკუმენტი ვნახეთ ქ. ლონდონში ბრიტანეთის ნაციონალურ არქივში. ესაა ინგლისური ტექსტი, რომელშიც გადმოცემულია ქ. თბილისში 1924 წლის 10-19 მარტს მიმდინარე სასამართლო პროცესი პატრიარქ ამბროსისა და ცხრა სასულიერო პირისა.
57	მოხსენებაში ჩვენ წარმოვადგინეთ გერმანელი ავტორის ნაშრომის – „გეოგრაფიულ-სტატისტიკური ჩანაწერები ბათუმისა და ჩორუკსუს ოლქების შესახებ, რასაც ერთვის შენიშვნები ტრაპიზონის საფაშოს აღმოსავლეთ ნაწილში არსებული სანაპიროს თაობაზე“ – მიმოხილვა. ავტორი იმყოფებოდა აქ 1842 წელს და აღწერა ყოველივე თვალით ნანახი: ქალაქი, მისი ნავსადგური, ბაზარი, ნავიგაცია, მმართველობა, ქიშპი ბათუმელთა ჩაქველებთან და სხვა.
58	მოხსენებაში ჩვენ მიმოვიხილეთ შვიდი ინგლისელი მოგზაურის (ჯონსონის, პორტერის, ლუმსდენის, ჰენდერსონის, ლაიელის, მიგნანისა და ვილბრაჰამის) ცნობები საქართველოს შესახებ, რომლებიც აქ იმყოფებოდნენ ერმოლოვის, პასკევიჩისა და როზენის მმართველობისას. გარდა დაწვრილებითი აღწერებისა, ცხადია მათ აინტერესებდათ რუსული ხელისუფლების საქმიანობისა და მიზნების გაცნობა, რომლებიც ისწრაფოდნენ კავკასიის დაპყრობის შემდეგ გასულიყვნენ სპარსეთზე გადავლით ინგლისელთა კოლონია ინდოეთისკენ.
59	მოხსენებაში მიმოხილულია საქართველოს ურთიერთობა გერმანიის პოლიტიკურ წარმომადგენლობასთან 1914-19 წლებში; ასევე საქართველოს ცნობა გერმანიის მხრივ „დე ფაქტო“ და „დე იურე“ და მისი გაუქმება რაპალოს ხელშეკრულებით (1922 წლის აპრილი). მოგვყავს საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის ვლადიმერ ახმეტელის წერილი ბერლინიდან აკაკი ჩხენკელისადმი 1921 წლის 26 თებერვლის თარიღით.
60	მოხსენებაში წარმოდგენილია ორი გერმანული წერილის ჩვენეული თარგმანი – ერთი გერმანიის პრეზიდენტ ფრიდრიხ ებერტის საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტისადმი 1920 წლის 10 ნოემბრის თარიღით და მეორე, დრ. სიმონსისა საქართველოში ელჩად დანიშნული ულრიხ რაუშერისადმი 1920 წლის 16 ნოემბრის თარიღით.
61	მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ემიგრაციაში მყოფი საქართველოს ეროვნული მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა გაებათილებინა რუსეთის ხელისუფალთა ცრუ განცხადებები საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე. საქართველოს ეროვნული მთავრობა პარიზში დაბინავდა. საფრანგეთის ხელისუფლებამ, პარიზში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ლეგაცია, 1933 წლამდე შეინარჩუნა. რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლება ცდილობდა თავისი ნაცადი დიპლომატიური ხრიკებით ერთმანეთისთვის გადაეკიდებინა ევროპის სახელმწიფოები. საფრანგეთის

	ხელისუფლებას, რომელიც მაშინ რუსეთის მკაცრი კრიტიკით გამოდიოდა, რუსეთის მიმართ ორჭოფული პოზიცია ეკავა. თავის მხრივ, რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლება ცდილობდა დაეყოლიებინა საფრანგეთის მთავრობა, რისთვისაც მას ჰპირდებოდა ვალების ცნობას, ძველი მეგობრობის განახლებას, კავკასიის და სპარსეთის ნავთის საბადოებში წილის მიღებას და ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვაზე დროებით გაჩუმებას. რაიმონ პუანკარე (1860-1934 წ.წ.) ცნობილი ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე და პოლიტიკური ფიგურა იყო. რ. პუანკარეს პრეზიდენტობა პირველი მსოფლიო ომის პერიოდს დაემთხვა. რ. პუანკარეს ეჭვის თვალით უყურებდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, რომელიც რუსეთში სახელმწიფო გადატრიალებისთვის ემზადებოდა. რაიმონ პუანკარეს საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხთან დაკავშირებით მკვეთრი პოზიცია ეკავა. გენუის კონფერენციის წინ, მან ცალსახად განაცხადა: „შეუძლებელია საქართველოს სახელით, რომლის დამოუკიდებლობა „დე იურე“ ცნობილია წამყვანი სახელმწიფოების მიერ და რუსეთმა იგი ძალის გამოყენებით დაიპყრო, გენუის კონფერენციაზე ისაუბროს ამ ძალის წარმომადგენელმა“. მან ოფიციალური ინსტრუქცია მისცა გენუის კონფერენციაზე საფრანგეთის დელეგაციის მეთაურს - ლუი ბარტუს, დაეცვა საქართველოს ეროვნული მთავრობის ინტერესები და არ დაეშვა, რომ გენუის კონფერენციაზე, საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელს ქართველი ხალხის სახელით ელაპარაკა. მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ ემიგრაციაში მყოფი საქართველოს ეროვნული მთავრობის ძალისხმევის მიუხედავად, საქართველო მრავალი ათეული წლის მანძილზე რუსეთის იმპერიული პოლიტიკის მსხვერპლად რჩებოდა. ქართული ემიგრაცია კვლავ აქტიურად აგრძელებდა ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის. საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერა და ევროინტეგრაციის კურსი დღევანდელი საქართველოს უმთავრეს გზად რჩება, რადგან საქართველოს ტერიტორიების 20% დღემდე უკანონოდ არის ოკუპირებული რუსეთის ჯარების მიერ.
62	მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში (1918-1921 წწ.), აშშ-საქართველოს ურთიერთობა წინააღმდეგობრივი ხასიათის იყო. აშშ-ს მაშინდელმა პრეზიდენტმა ვ. უილსონმა ამიერკავკასიაში საკუთარი გეგმები ვერ განახორციელა. აშშ-ს ხელისუფლებამ თავი შეიკავა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღიარებისგან. იმავდროულად, აშშ-ს მმართველი წრეების დაინტერესება, სამხრეთ კავკასიის რეგიონით დიდი იყო. 1921 წელს, რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, ქვეყანამ საერთაშორისო ასპარეზზე მოქმედების შესაძლებლობა ფაქტიურად დაკარგა. მოხსენებაში საუბარია ემიგრაციაში მოღვაწე ქართველი პოლიტიკოსების აქტიურობაზე, რომლებიც ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ ყველა საერთაშორისო ტრიბუნა, საქართველოს საკითხის განსახილველად გამოეყენებინათ, რათა აეძულებინათ ბოლშევიკური ხელისუფლება რუსეთის საოკუპაციო ჯარი საქართველოდან გაეყვანა. საუბარია აშშ-ი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელის – ზ. ავალიშვილის მოღვაწეობაზე. მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ 1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლაში აშშ-ს მაშინდელმა ხელისუფლებამ გადამწყვეტი როლი შეასრულა. აშშ დღესდღეობით საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორია.
63	მოხსენებაში აღნიშნულია, რომ 1921 წელს საქართველოში რუსული არმიის შემოჭრის შემდეგ, ქვეყნის იძულებითი გასაბჭოება მოხდა. საქართველოში, 1921 წლის თებერვლიდან, საბჭოთა რუსეთში 1917-1921 წლებში მიღებული კანონების გადმოღება აქტიურად დაიწყო. 1921 წლის 14 აპრილს, მიიღეს საქართველოს რევკომის დეკრეტი №21 „სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის შესახებ“. საბჭოთა ხელისუფლებამ ბრძოლის იარაღად

	გამოაცხადა ლოზუნგები: „ძირს გონების დამაჩლუნგებელი ტაძრები, გაუმარჯოს მასში განათლების ტაძარს“, „გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას, რომელიც ებრძვის ყოველგვარ ცრუმორწმუნეობას და ბოროტმოქმედებას“, „ძირს მატყუარა სამღვდელოება და მათი კონტრრევოლუციური ბუდე“, „გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, ძირს სარწმუნოება და მისი დამქაშები“. აღნიშნული კანონები ქართული სინამდვილისთვის სავსებით მიუღებელი იყო. ბოლშევიკების შეფასებით, სამღვდელოება ფეოდალური წყობილების გადმონაშთად მიიჩნეოდა. ისინი ეკლესიების მასობრივი დახურვის შესახებ, დადგენილებებს აქტიურად იღებდნენ. ყოფილი ეკლესიის შენობებში კი კლუბები, სკოლები, ასევე, სამკითხველოები იხსნებოდა. დაახლოებით ერთ წელიწადში, საქართველოში 1212 ეკლესია დაიხურა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე დღეებიდან, სამღვდელო პირთა მიმართ სასტიკი რეპრესიები დაიწყო. 1922 წლის 13 ივნისს, „ჩეკა“-ს თავმჯდომარემ - კოტე ცინცაძემ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი – ამბროსი ხელაია დაკითხვაზე დაიბარა, რადგან მან წერილი გაუგზავნა გენუის საერთაშორისო კონფერენციას, რომელშიც წითელი არმიის მიერ საქართველოს დაპყრობა და ძალდატანებითი გასაბჭოება ამხილა. მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ ბოლშევიკური სტერეოტიპებისგან საზოგადოებრივი აზროვნების გათავისუფლებას ათეული წლები დასჭირდა. 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის და საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის შემდეგ, შესაძლებელი გახდა საქართველოსთვის თავდადებული სასულიერო პირების ღვაწლის დაფასება.
64	მოხსენებაში აღნიშნულია, რომ 1921 წლის 27 იანვარს, ანტანტის ქვეყნებმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის „დე იურე“ დამოუკიდებლობა აღიარეს. საქართველოს მთავრობამ იტალიაში ელჩად კონსტანტინე საბახტარაშვილი დანიშნა. 1921 წლის თებერვლის დასაწყისში საელჩოს პირველი მდივანი გიორგი მაჩაბელი გახდა. იტალიაში ელჩის ფუნქციები რეალურად მას ებარა. გიორგი მაჩაბელი ამ მოვალეობას, 1921 წლის თებერვლიდან 1923 წლის ნოემბრამდე, ასრულებდა. ემიგრაციაში მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლობებიდან, განსაკუთრებული მნიშვნელობა კონსტანტინოპოლის მისიას ენიჭებოდა, საიდანაც პარიზის ლეგაციას, ინფორმაცია ოკუპირებულ საქართველოში არსებულ რეალურ სიტუაციაზე, უშუალოდ მიეწოდებოდა. ჯერ კიდევ, რუსეთის წითელი არმიის საქართველოში შემოჭრამდე, საქართველოს ეროვნული მთავრობა ანგორის მთავრობასთან მოლაპარაკებას ცდილობდა, რაც უშედეგოდ დასრულდა. ოსმალეთის იმპერიის დაცემისა და სრული დაშლის საშიშროების ქვეშ მყოფი თურქები, თავის გადარჩენას მუსტაფა ქემალ ფაშას (1881-1938 წწ.) მეთაურობით ცდილობდნენ. სულთნის მთავრობის მეცხრე არმიის ინსპექტორი –მუსტაფა ქემალ ფაშა, 1919 წლის 7 აგვისტოს, ერზერუმის ყრილობაზე შექმნილი, სულთნის მოწინააღმდეგე მთავრობის მეთაური გახდა. მოკავშირე სახელმწიფოთა წინააღმდეგ ბრძოლაში, ქემალი რუსეთში ხედავდა დასაყრდენს. სწორედ, მუსტაფა ქემალისა და ვ. ლენინის გარიგებას შეეწირა საქართველოს დამოუკიდებლობა. 1921-1925 წლებში, საქართველოს ეროვნული მთავრობის წარმომადგენლად კონსტანტინოპოლში კონსტანტინე გვარჯალაძე დაინიშნა. ამ ხნის მანძილზე, მან მოლაპარაკება აწარმოა, ოსმალეთში მყოფი, 22 ქვეყნის ოფიციალურ პირთან. მას უფრო დიდი ნდობით უყურებდნენ თურქები, ვიდრე ბოლშევიკების ელჩს – კ. მოდებაძეს. ემიგრაციაში მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, ოსმალებთან მოლაპარაკების გააქტიურების მიზნით, გადაწყვიტა კონსტანტინოპოლში გიორგი მაჩაბელი გაეგზავნა. მას, ჯერ კიდევ, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, მჭიდრო კავშირში ჰქონდა გერმანელ პოლიტიკოსებთან და პირველი მსოფლიო ომის დროს, მათ მოკავშირე თურქებთან. გიორგი მაჩაბელმა დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში. მისი

	კონსტანტინოპოლში წარგზავნის იდეა ძალიან მოეწონა იქაური მისიის ხელმძღვანელს - კ. გვარჯალაძეს. მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, ემიგრაციაში მოღვაწე, ქართველი პოლიტიკოსები, აქტიურად აგრძელებდნენ ბრძოლას და იმედის თვალით უყურებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას.
65	მოხსენებაში აღნიშნულია, რომ პირველ მსოფლიო ომში, გერმანიის დამარცხების გამო, შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, ინგლისის ხელისუფლებას შესაფერის დასაყრდენ ძალად მიიჩნევდა. მთავრობის საგარეო პოლიტიკური კურსი გერმანული ორიენტაციის ნაცვლად, ინგლისურით შეიცვალა. ამიერკავკასიაში, ანტანტის პოლიტიკა საბჭოთა რუსეთისგან ყოფილი რუსეთის იმპერიის ქვეყნების ჩამოცილებას ითვალისწინებდა. ინგლისის ხელისუფლება მეფის რუსეთის თეთრგვარდიელთა მოძრაობას ეხმარებოდა. 1920 წლის 2 იანვარს, ბოლშევიკური რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, გ. ჩიჩერინმა ოფიციალური ნოტით მიმართა საქართველოს და აზერბაიჯანის მმართველებს და მათ, ინგლისის ხელისუფლების მფარველობის ქვეშ მყოფი, დენიკინის წინააღმდეგ სამხედრო ალიანსის შეკვრისკენ მოუწოდა, რაზეც უარყოფითი პასუხი მიიღო. საქართველოს მთავრობა, ინგლისელთა მხრიდან, ქართველების მიმართ არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულების მიუხედავად, ყოველმხრივ ცდილობდა მათთან საქმიანი ურთიერთობის დამყარებას. მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ ლონდონსა და სან-რემოში ამიერკავკასიის რესპუბლიკების ბლოკის შექმნის მცდელობის ჩაშლის, აზერბაიჯანის გასაბჭოვების და 1920 წლის 7 მაისის საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების დადების შემდეგ, ბათუმში მოკავშირეთა სამხედრო ნაწილის ყოფნამ აზრი დაკარგა. 1919 წლის ბოლოს ამიერკავკასიაში ინგლისის ხელისუფლების პოზიციები მნიშვნელოვნად შეირყა. 1920 წლის 28 ივნისს, ინგლისის წარმომადგენელმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან ბათუმის და მისი ოლქის საქართველოსთვის გადაცემის ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. 1920 წლის ივლისში ინგლისის ჯარმა ბათუმი დატოვა. აღნიშნულია, რომ დღეს, როცა XXI საუკუნეში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა კვლავ დარღვეულია, საქართველოს ტერიტორიის 20% რუსეთის ჯარების მიერ უკანონოდ არის ოკუპირებული და საქართველოს საგარეო ორიენტაციის კურსი ევროინტეგრაციისკენ არის მიმართული, დიდი მნიშვნელობა ენიჭება წარსული ისტორიული ფაქტების გაანალიზებას, რათა დაშვებული შეცდომები კვლავ არ განმეორდეს.
66	მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ იძულებით დატოვა ქვეყანა და ემიგრაციაში გაემგზავრა. მეორე მსოფლიო ომში, საბჭოთა კავშირის მხარეზე დაახლოებით, 700 ათასი ქართველი იბრძოდა, გერმანელების მხარეს კი 32 ათასი, მათ შორის 500 ემიგრანტი (უმრავლესობა ტყვედჩავარდნილი ქართველები იყვნენ). ემიგრანტები ფიქრობდნენ, რომ გერმანიის პროტექტორატის ქვეშ მყოფი საქართველო უფრო ადვილად აღადგენდა დამოუკიდებლობას. მათთვის მთავარი იყო, ბოლშევიკური რუსეთის დამარცხება. ემიგრაციაში მყოფმა ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა მეორე მსოფლიო ომის დროს, ნეიტრალური პოზიცია დაიკავეს, ხოლო საფრანგეთის ოკუპაციის დროს, მათ უარი თქვეს გერმანელებთან თანამშრომლობაზე. ქართველი ერის სუვერენობა, დემოკრატიისკენ სწრაფვა, ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენა, ეს იყო ძირითადი მიზეზი, რისთვისაც ცალკეულ პოლიტიკურ პარტიებად და ეროვნულ-განმათავისუფლებელ ორგანიზაციებად გაყოფილი ქართველი პოლიტიკოსები გერმანიის მხარეს იბრძოდნენ. „ქართველი ერის თავისუფლება და მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გახდა მსხვერპლი 1921 წელს იმ პოლიტიკურ მოვლენათა, რომელნიც მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ,

	ყველასთვის ნათელი იქმნენ. კაცობრიობა ორ ბანაკად გაიყო: დასავლეთის დემოკრატია და ტოტალიტარული კომუნიზმი პირისპირ დადგნენ. ...ჩვენი ბრძოლის გზა და მიზანი, ოდითგანვე გარკვეული იყო – ჩვენი ადგილი დასავლეთთან არის“ – წერდნენ ქართველი ემიგრანტები. მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ გერმანელებს არანაირი დაპირებები ქართველებისა და კავკასიელებისთვის არ მიუციათ. ქართული სამეკავშირეო შტაბი, როგორც საქართველოს წარმომადგენლობა, მათ 1945 წლის 17 მარტს აღიარეს, როცა ომის ბედი ფაქტიურად გადაწყვეტილი იყო. ქართველები მთელი ორი წლის მანძილზე ითხოვდნენ ამას. ემიგრაციაში მყოფ ქართველ პოლიტიკოსებს კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, სხვადასხვა გერმანელ მოხელეებთან და მათი იმედი ჰქონდათ. ჰიტლერის წინააღმდეგ განწყობილი გერმანელების მსგავსად, ისინიც ფიქრობდნენ, რომ ჰიტლერი მუდმივად არ იქნებოდა გერმანიის სათავეში და მისი შეცვლის შემდეგ გერმანიის ახალი ხელისუფლების პოლიტიკა შეიცვლებოდა. მოვლენები სხვაგვარად წარიმართა. მეორე მსოფლიო ომში გერმანელების მხარეს მებრძოლი ქართველებისთვის 9 მაისი დამარცხების დღედ დარჩა, ხოლო წითელი არმიის რიგებში მყოფი ქართველებისთვის კი გამარჯვების დღე.
67	მოხსენებაში აღნიშნულია, რომ რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის 18 მარტს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იძულებული გახდა ევროპაში გახიზნულიყო, საიდანაც აქტიურად იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად. თავის მხრივ, რუსეთის მთავრობა ცდილობდა საერთაშორისო საზოგადოებისთვის დაემტკიცებინა საკუთარი პოლიტიკის სისწორე და რუსული ხიშტებით საქართველოს დაპყრობა, მსოფლიო საზოგადოების თვალში წარმოეჩინა, როგორც საქართველოში მომხდარი შინაური გადატრიალება. ამასთანავე, რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლება მიისწრაფვოდა, რათა დროულად მომხდარიყო წამყვანი სახელმწიფოების მხრიდან მათი ცნობა. ემიგრაციაში მყოფი, საქართველოს ეროვნული მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა გაებათილებინა საბჭოთა რუსეთის ხელისუფალთა ცრუ განცხადებები საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე. ემიგრაციაში მყოფი ქართველი პოლიტიკოსები, უცხოეთიდან, ადევნებდნენ თვალს საქართველოში განვითარებულ მოვლენებს. ემიგრაციაში მყოფი საქართველოს მთავრობის ცდა, იქითკენ იყო მიმართული, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა საერთაშორისო თვალსაზრისით, შეუბღალავი დარჩენილიყო. მთავრობის წევრები იყენებდნენ ყველა ზომას, რათა ემხილათ და გაებათილებინათ მოსკოვის მთავრობის მტკიცება, თითქოს ქართველმა ერმა თვითონ მოისურვა რუსის ჯარის საქართველოში შემოყვანა და იქ საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. ისინი მთელი ძალით იბრძოდნენ არ დაეშვათ რუსი დელეგატები საერთაშორისო კონფერენციებზე საქართველოს სახელით, რაც რეალურად მოახერხეს კიდეც გენუაში (1922 წლის აპრილი) და ლოზანაში (1923 წ.). ასეთი ბრძოლის შედეგად, საქართველო, იმ დროისათვის, იურიდიულად ჯერ კიდევ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ოჯახის წევრად ითვლებოდა. ემიგრაციაში, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები, მუდამ იმის ცდაში იყვნენ, რომ უცხოეთის ოფიციალური წრეებისათვის მიეწოდებინათ სწორი ცნობები, ქართველი ხალხის ბრძოლის შესახებ საოკუპაციო ძალების წინააღმდეგ, აგრთვე, ემხილათ ის სიმხეცენი და საშინელებანი, რომელსაც ეს ძალები ჩადიოდნენ საქართველოში. ემიგრაციაში ჩასვლისთანავე, ისინი არ უშვებდნენ არც ერთ შემთხვევას, რათა განსაკუთრებით დაეინტერესებინათ, ესა თუ ის სახელმწიფო საქართველოს სვე-ბედით, მოეპოვებინათ არამარტო უცხოეთის თანაგრძნობა, არამედ რეალური დახმარებაც მიეღოთ.
68	XVIII საუკუნის 80-90-იან წლებში, ქართლ-კახეთის სამეფოში შექმნილი საშინაო და საგარეო პოლიტიკური ფონიდან გამომდინარე, ცენტრალურ

	ხელისუფლებაში აშკარად გამოიკვეთა მძიმე კრიზისული ვითარება, რომლის ლოგიკურ შედეგიც სამეფო სახლის შიგნით არსებული განხეთქილება გახდა. ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, არსებული პრობლემის შემდგომი გაღრმავების თავიდან ასაცილებლად 1791 წ. ერეკლე II-მ შეადგინა საგანგებო დოკუმენტი, რომელსაც ანდერძის დანიშნულება მიანიჭა, ისტორიაში კი ეს უკანასკნელი "განწესებათა" სახელით მოიხსენიება. დღეისათვის არსებული დოკუმენტური მასალის ანალიზის საფუძველზე სტატიაში გამოთქმულია მოსაზრებები "ანდერძის" ავთენტურობისა და მისი ანულირების საკითხებთან დაკავშირებით.
69	ქართლში ერეკლე II-ის მეფობის ლეგიტიმურობის პრობლემასთან დაკავშირებულ ისტორიულ ფაქტებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო 1765 წლის შეთქმულება, რომელშიც მონაწილეობდა ალექსანდრე ამილახვარი; შემდგომში ეს უკანასკნელი ცნობილი გახდა თავისი პოლიტიკური ხასიათის ნაშრომებით, სადაც უარყოფითად აფასებდა ერეკლე II მთელ მოღვაწეობას. ისტორიული წყაროებია და სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემების ფონზე სტატიაში განხილულია საკითხი ერეკლე II-ის მიმართ ალექსანდრე ამილახვრის არაობიექტური დამოკიდებულებისა და, შესაბამისად, კრიტიკულად არის შეფასებული მისი ნაშრომი, როგორც საისტორიო წყარო.
70	სრულიად მართლმადიდებელთა როდოსის თათბირები 1961-1964 წლებში სამჯერ გაიმართა. მათ ამოცანას წარმოადგენდა მართლმადიდებელი ეკლესიის კრებისწინა თათბირზე განსახილველი საკითხების ნუსხის შემუშავება, ქრისტიანულ სამყაროსთან ურთიერთობის გზების განსაზღვრა. როდოსის I თათბირის მზადების პერიოდში რუსეთის პატრიარქ ალექსისა და მსოფლიო პატრიარქ ათინაგორას შორის მიმოწერისას აღმოჩნდა, რომ მსოფლიო პატრიარქს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა. რუსეთის პატრიარქის მიერ მსოფლიო პატრიარქისათვის მიწოდებულ ცნობაში აღიარებულია საქართველოს ეკლესიის ადრინდელი (V–XVIII სს.) და 1917 წელს აღდგენილი ავტოკეფალია. როდოსის თათბირებზე საქართველოს ეკლესია ავტონომიურ ეკლესიათა შირის იყო დასახელებული. I და II თათბირს საქართველოს წარმომადგენელი არ დასწრებია. III შეკრების დროს, 1964 წელს ეპისკოპოსმა ილია შემოქმედელმა (შიოლაშვილი) საქართველოს ეკლესიის უფლებათა დამცრობის გამო სიტყვიერი და წერილობითი პროტესტი განაცხადა. პროტესტის უშედეგობის გამო სრულიადმართლმადიდებელთა მომდევნო თათბირში საქართველოს ეკლესიას მონაწილეობა აღარ მიუღია. კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებისათვის 1990 წელს წარმატებით დამთავრდა, მაგრამ დიპტიქში საქართველოს ეკლესიის ადგილის განსაზღვრა მომავლის საქმედ რჩება.
71	ჯიქები კავკასიის მკვიდრ მოსახლეობას წარმოადგენენ. მათი ისტორიული სამშობლო ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მთიანეთი, მთისწინეთი და დაბლობი რაიონებია. ჯიქები და ქართველები არა მარტო მეზობელი, არამედ ურთიერთმონათესავე ხალხია.ძველი ბერძნული წყაროების მონაცემებით, ძვ. წ. აღ.I საუკუნში ჯიქების ნაწილი ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ კი გაგრა-სოჩის სექტორში, ცხოვრობდა.ამ დროს მათი და აქ მოსახლე ქართველების ყოფა ერთმანეთისგან არაფრით განსხვავდებოდა და მჭიდროდ იყო დაკავშირებული ზღვასთან. საქართველოში მცხოვრები ჯიქები ქართული სამეფო ხელისუფლებისადმი განსაკუთრებული ერთგულებით გამოირჩეოდნენ. ისინი ქართველებთან ერთად ერთგვარ ბუფერს ქმნიდნენ და ქართულ ტერიტორიას მოსალოდნელი საფრთხეებისგან იცავდნენ. VI საუკუნეში ჯიქები გაქრისტიანდნენ.ისინიX საუკუნიდან მცხეთის ტახტს დაექვემდებარნენ. XIII საუკუნეში კავკასიას მონღოლები, XIV საუკუნეში კი თემურ-ლენგი შემოესია.

	უცხო მტერთან გამუდმებულმა ბრძოლამ საქართველოში ცენტრალური ხელისუფლების დასუსტება გამოიწვია. ჯიქები ქართული სამეფო სახლის ყურადღების მიღმა დარჩენენ და ნელ-ნელა განდგომა დაიწყეს. აღნიშნულ პერიოდში უცხოური წყაროები შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ ჯიქებს ორი სახელით: ზიხებითა და ჩერქეზებით მოიხსენიებენ. XIX საუკუნიდან რუსეთი კავკასიის დასაპყრობად აქტიურ საომარ ოპერაციებს ახორციელებს.1864 წელს რუსეთის ხელისუფლებამ ჯიქების წინააღმდეგ სამხედრო ექსპედიციები განახორციელა, რის შემდეგაც „ისინი უკლებლად წავიდნენ მუჰაჯირობაში“. გაგრა-სოჩის ტერიტორია მთლად დაიცალა მოსახლეობისგან. შემდგომ პერიოდში აღნიშნული მხარე რუს მაღალჩინოსნებს შორის დანაწილდა.
72	მოხსენება ეხებოდა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციების საფუძველზე შემუშავებულ საგანმანათლებლო პროექტს „მშვიდობის მშენებლობა კულტურის განათლების გზით - ახალგაზრდული ბანაკი აფხაზეთიდან დევნილი მოსწავლეებისათვის“, რომელიც განხორციელდა 2014 წელს. მასში მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა. სასწავლო პროგრამა ითვალისწინებდა „სწავლა კეთების“ მეთოდის გამოყენებით მოზარდების მიერ აფხაზეთის თემატიკაზე გამოფენის პროექტის რეალიზებას, რაც მოიცავდა გამოფენის კონცეფციის შემუშავებას, მასალის შერჩევა-დამუშავებას, გამოფენის ინსტალაციასა და ვიზიტორთათვის წარდგენა-ინტერპრეტაციას. ერთკვირიანი დამოუკიდებელი მუშაობის შედეგად მოსწავლეებმა წარმოადგინეს: 100-მდე არტეფაქტი და 15 ზეპირი ისტორია. ამ მასალის გამოფენისა და ინტერპრეტაციის საფუძველზე მომზადდა გამოფენა.
73	მოხსენებაში განხილულია საგანმანათლებლო სისტემის მნიშვნელობა და როლი ეროვნულ მოძრაობის ისტორიაში. ყურადღება გამახვილებულია განათლების სისტემის ეროვნულ ფუნქციაზე.
74	მოხსენებაში განხილულია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩამოყალიბება და შემდგომი განვითარება.
75	მოხსენებაში გაანალიზებულია საქართველოს მართლამდიდებელი ეკლესიის როლი პოლიტიკური ელიტის ფორმირებაში და რელიგიისა და სახელწიფოს მიმართება 90-იანი წლების მოვლენების ფონზე.
76	მოხსენებაში ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე დახასიათებულია ასირიელთა ყოფა საქართველოში
77	ნაშრომში წარმოდგენილია ანთროპოლოგიური კვლევის მახასიათებლები თანამედროვე საქართველოში მიმდინარე კვლევების მაგალითზე.
78	ნაშრომში გაანალიზებულია გიორგი ჩიტაიას დამსახურება სპეციფიკური კვლევის მეთოდის შემუავებაში და დახასიათებულია მეთოდის ფუნქციური მხარე.
79	ნაშრომში წარმოდგენილია მოგზაურისა და ჟურნალისტის კარლა სერენას მონაცემები XIX საუკუნის საქართველოს, მისი ყოფის და კულტურის შესახებ.
80	მოხსენებაში წარმოდგენილი იყო ადამიანის ეკოლოგიის ხალხური ტრადიციების კვლევის შედეგები საქართველოში. ადამიანისადმი (ბავშვისადმი) საზოგადოების დამოკიდებულების საკითხი და სხვ.
81	მოხსენებაში წარმოდგენილი იყო გიორგი ჩიტაიას მოღვაწეობის თეორიული ასპექტები, კერძოდ მისი შეხედულებები ეთნოლოგიური მეცნიერების არსისა და განვითარების ამ მეცნიერების ისტორიის, ახალი ყოფის ეთნოლოგიური კვლევის პერსპექტივების შესახებ და სხვ.
82	მოხსენებაში წარმოდგენილი იყო გიორგი ჩიტაიას მოღვაწეობის თეორიული ასპექტები, კერძოდ მისი მოღვაწეობის რამდენიმე ეტაპი, მისი დამოკოდებიულება, ეთნოგრაფიის, ეთნოლოგიისა და სოციოკულტურული ანთროპოლოგიის მიმართ.

83	მოხსენებაში განხილული იყო ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის ისიდორე რამიშვილის ცნობები გურულების(სოფელ სურების მკვიდრთა) ტრადიციული ყოფის შესახებ. კერძოდ შრომის ორგანიზების ტრადიციული ფორმების შესახებ.
84	მოხსენებაში განხილული იყო საზოგადოების დამოკიდებულება ბავშვის მიმართ. კერძოდ, საზოგადოების მიერ ბავშვისთვის სიკვდილის ტრაგედიის შედეგად მოსალოდნელი შოკის აცილების მცდელობა, ბავშვის ფსიქიკის თავისებურებების გათვალისწინებით.
85	მოხსენებაში შედარებულია კახეთში აწყურის თეთრი გიორგის ტაძარში აღმოჩენილი ადამინის სხეულის ნაწილების მოდელები: ხელი, ფეხი... (ვოტივები) და არქეოლოგიურ განათხარ მასალაში (ცაიშში, მუხურჩაში და სხვ.). არსებულ ხელის გამოსახულებებთან. გამოთქმულია ადამიანის სხეული სნაწილების მოდელების შეწირვის ტრადიციის უძველესი ხანიდან მომდინარეობის შესახებ.
86	ქართველთა რელიგიური აზროვნების ერთ ხაზს თუ გავადევნებთ თვალს, ჩვენი აზრით, დავინახავთ ჩვენეული მსოფლმხედველობისთვის დამახასიათებელ ერთ-ერთ სიმბოლოს: ვაზის სახით წარმოდგენილ სიცოცხლის ხეს/ჯვარს და მასთან დაკავშირებულ წმინდა ქალს. რელიგიურ პრაქტიკაში სხვადასხვა სახით წარმოდგენილ ამ სიმბოლოს, თან ახლავს შესაბამისი ტექსტი და მუსიკა. ვაზის ჯვარი კი, ვფიქრობთ, ქართული იდენტობის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი ხატია, რომელშიც ქართველთა წინარე ქრისტიანული მსოფლმხედველობაა შერწყმული და რომელიც უცხო კულტურებთან შეხვედრის შედეგად ქართულ ნიადაგზე წარმოიშვა.
87	მოხსენებაში განხილულია ალილოსა და ჭონას რიტუალების ურთიერთკავშირი და მათში შემორჩენილი წინაქრისტიანული და ქრისტიანული ფენები.
88	იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობასთან (აფხაზეთი) ჩატარებული გამოკითხვის შედეგად დგინდება, რომ ახლაც დევნილობის პერიოდში რიგი დაავადებების (ავი თვალი, შეშინებული, ბატონები) შემთხვევაში მიმართავენ მაგიურ-რელიგიური მკურნალობის მეთოდებს - ავი თვალის, შეშინებულის დროს შელოცვით მკურნალობა ისევ ფუნქციონალურია, შემორჩა კოლექტიურ მეხსიერებას. ბატონების დროს არსებულ გარკვეულ ძველ წესებსაც ისევ იცავენ. შეიმჩნევა ძველი ელემენტების დაძლევის ტენდენცია, რჩება ის რასაც გააჩნია ეფექტურობა.
89	ცხინვალის რეგიონის ხალხური მკურნალობის ეფექტურობას განაპირობებდა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ საუკუნეთა მანძილზე ემპირიული დაკვირვების შედეგად მიღებული გამოცდილება, ამავე დროს ხშირ შემთხვევაში მკურნალობის კომპლექსური ხასიათი. საკვლევი რეგიონის იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის პირობები თავდაპირველად გაუსაძლისი იყო, მოსახლეობა სტრესულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. იმ დროს, როდესაც მათი სამედიცინო მომსახურეობა არ იყო სათანადო დონეზე და უნდა ითქვას სათანადო დონე არც ახლაა, სწორედ მკურნალობის ხალხურმა ტრადიციებმა მათ გარკვეული დახმარება გაუწია.
90	მოხსენებაში საუბარია კავკასიის საფორტიფიკაციო სისტემის მახასიათებლების მსგავსება-განსხვავების შესახებ. თავდაცვითი ნაგებობების ტიპოლოგიის და ლოკალური, კერძოდ, სვანური თავდაცვითი სისტემის თავისებურებებზე.
91	მოხსენებაში დაწვრილებითაა შესწავლილი XV საუკუნის დოკუმენტის მონაცემები “სვანეთის მთიულეთში” არსებული ეკლესია-მონასტრების, მათში დაუნჯებული საგანძურისა და ციხესიმაგრეების შესახებ.
92	მოხსენებაში შესწავლილია მარნეულის მუნიციპალიტეტში მიმდინარე

	დღევანდელი პროცესები, კერძოდ, რელიგიური ვითარება, კულტურულ-ეკონომიკური კავშირები აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან; ამ პროცესების თანმხლები დადებითი და უარყოფითი მხარეები.
93	მოხსენებაში საუბარია თურქეთის ქართველთა ყოფაში დადასტურებული ქარტული ხალხური დრესასწაულების მნიშვნელობაზე ეთნიკური იდენტობის შენარჩუნებისა და განვითარების საქმეში. მოხსენება ეყრდნობა საკუთარ საველე-ეთნოგრაფიულ მასალას.
94	მოხსენებაში საუბარია თურქეთში მოღვაწე მეცნიერისა და მთარგმნელის ჰაირი ჰაირიოღლუს (ვახტანგ მალაყმაძის) ცხოვრებისა და მოღვაწეობის ერთი ასპეტის შესახებ. გამოვლენილია მისი დამოკიდებულება საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიათნ და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, უწმიდესთან და უნეტარესთან ილია მეორესთან. ნაშრომი ეყრდნობა ვახტანგ მალაყმაძის პირად არქივში არსებულ დოკუმენტებსა და წერილებს, აგრეთვე, ეთნოგრაფიული კვლევით შეკრებილ ინფორმაციას.
95	მოხსენებაში წარმოდგენილია თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში მოქცეული მაწახლის ზემო ნაწილის ისტორია და ეთნოგრაფიული ვითარება. აღწერილია ზემო მაწახლის გეოგრაფია, მოკლე ისტორია, თანამედროვე სურათი: თემთა და სოფელთა დაკონკრეტებით. მოთხრობილია ადგილობრივ საგვარეულოთა საგვარეულო ისტორიები, და დაკონკრეტებულია მათი განსახლების არეალი. ვრცლად აღწერილია ისტორიული მახსოვრობის ფაქტები.
96	მოხსენებაში წარმოდგენილია აკად. გიორგი ჩიტაიას სამეცნიერო ნაშრომებში არსებული ინფორმაციასვანეთის ტრადიციული ყოფისა და კულტურის შესახებ. გამოვლენილია მეცნიერის დიდი წვლილი სვანეთის ისტორიისა და ტრადიციული კულტურის შესწავლის საქმეში: სვანების წვლილი ქართველტა ეთნოგენეზსა და ეთნიკურ კულტურასი, სვანეთის სამეურნეო ყოფა, სვანეთის საერისმთავრო ინსიგნიები, ორნამენტი და სხვ.
97	მოხსენებაში დაჯგუფებული და გაანალიზებულია ტურქეთის ქართველტა ყოფაში ფიქსირებული ისტორიული მახსოვრობის ფაქტები, მათი ძირითადი თემატიკა და ისტორიის რეპრეზენტაციის მთავარი მოტივები. მოხსენება ეყრდნობა საკუთარ საველე-ეთნოგრაფიულ მასალას.
98	მოხსენებაში საუბარია სტამბოლში არსებულ ქართულ სათვისტომოებზე. მოთხრობილია მათი დაარსების ისტორია, შემდგომი საქმიანობა და მიზნები. გამოკვეტილია სტამობლელ ქართველთა შორის მიმდინარე ეთნო-კულტურული და სოციო-კულტურული პროცესები. მოხსენება ეყრდნობა საკუთარ საველე-ეთნოგრაფიულ მასალასა და მის ანალიზს.
99	მოხსენბაში საუბარია 1960-იან წლებში ამერიკელი ეთნოლოგისა და ეთნომუსიკოლოგის, პროფესორ პიტერ გოლდის მიერ თურქეთის რესპუბლიკის ბურსის რეგიონის ინეგოლის რაიონის სოფლე ჰაიირეში (ხეირიე) განხორციელებულ ექსპედიციაზე. განხილულია პიტერ გოლდის მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასლა, ეთნომუსიკალური მემკვიდრეობა და ყოველივე ეს შეადრებულია თანამედროვე ვითარებასთან. მოხსენება ეყრდნობა საკუთარ პიტერ გოლდის გამოცემულ და საარქივო მასლასა და ავტორთა საკუთარ საველე-ეთნოგრაფიულ მასალას.
100	მოხსენებაში საუბარია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, მათ შორის, თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში მოქცეულ ნაწილშიც, შემონხულ ხარების „ჭედობის“ შესახებ. გამოვლენილია ამ ტრადიციის გენეზისი და მოტანილია ვრცელი სვანური

	მასალა. ნაშრომი ეყრდნობა სამეცნიერო ლიტერატურას და საკუთარ საველე მასალას.
101	გივი ელიავა მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დამაარსებელი და მრავალი წლის განმავლობაში მისი დირექტორი გახლდათ. გარდა სამუზეუმო საქმიანობისა ის აქტიური ეთნოგრაფიული, საველე სამუშაოებსაც აწარმოებდა და ამ მხრივ საკმაოდ მოცულობით ინფორმაციას მოუყარა თავი. გივი ელიავას კარგად აქვს შესწავლილი სამეგრელოსთვის დამახასიათებელი ყოფა-ცხოვრების თავისებურებები - სამეურნეო იარაღები, საკარმიდამო, საცხოვრებელი და დამხმარე ნაგებობები, თვითმმართველობისა და ნათესაობის სისტემები; შვიდდღიანი კალენდრის, მთვარის ციკლისა და ჰორიზონტის მხარეებთან დაკავშირებული საკითხები. მის ნაშრომებში და აღწერილობებში მრავალი ორიგინალური ტერმინია დაფიქსირებული. აღსანიშნავია, რომ გივი ელიავას დაფიქსირებული აქვს მეგრული სახლის გამორჩეული ტიპი, ოდა სახლის წინამორბედი, „მაქდორა“, აგრეთვე მიკვლეული აქვს შაბათი (საბატონი) დღის არქაული ფორმა - შურიშხა (შურიდღა - სულის დღე). მისი ნაშრომები ძირითადად თავმოყრილია 1989 წელს მარტვილში გამოცემულ ალბომში „ეთნოგრაფიული სამეგრელო“, რომელსაც თან ერთვის ერთგვარი ლექსიკონი - „მეგრული სოციალურ-ეთნიკური ტერმინთა კატალოგი ანბანური საძიებლით“.
102	აფხაზეთის ტერიტორიის ეთნოდემოგრაფიული სურათის ინტერპრეტირება ქართველ, რუს და აფხაზი მეცნიერების მხრიდან კარგა ხანია ურთიერთგანსხვავებულად ხდება. უმრავლეს შემთხვევაში განსხვავებები რადიკალურია, ხშირად ტენდენციურიცაა და პოლიტიკურ მიზნებს ემსახურება. შეიძლება ითქვას, რომ დიდწილად სწორედ ამ საკითხის თავის დროზე პოლიტიზირებამ შეამზადა საფუძველი აფხაზურ-ქართული კონფლიქტისთვის, რომელმაც მეოცე საუკუნის ბოლოსთვის სავალალო შედეგები მოიტანა. აფხაზეთის ტერიტორიაზე მაცხოვრებელთა სადაურობის, ეთნიკური კუთვნილების ანუ ამ ადგილზე მცხოვრებთა ავტოქტონურობის დაჩემებას დიდი ხნის ისტორია აქვს. მეცნიერთა ნაწილი ამ მხარეში ქართველურ ტომთა პირველმოსახლეობას ამტკიცებს, მეორე ნაწილი აფხაზეთს მთლიანად აფხაზ-ადიღეურ სამყაროს აკუთვნებს, არიან ისეთები რომელთაც შუალედური პოზიცია აქვთ და ამბობენ, რომ აფხაზეთის ტერიტორიის სამხრეთი და სამხრეთ აღმოსავლეთი ნაწილი ქართველური ტომებით იყო დასახლებული, ჩრდილოეთითა და ჩრდილო დასავლეთით კი აფხაზთა წინაპრები სახლობდნენ. საკითხი მართლაც რთულია და ძალიან ღრმა და სკურპულოზურ კვლევას მოითხოვს. ჩვენს ნაშრომში მიმოხილულია მოსაზრებები აფხაზეთის ანტიკური ხანისა და ადრეშუასაუკუნეების მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილების შესახებ. თუმცა მთავარი აქცენტები გაკეთებულია შუასაუკუნეების წერილობით წყაროებზე რომლებიც აშკარა მოწმეები არიან იმისა თუ როგორი იყო ეთნიკური სურათი აფხაზეთში და როგორ იცვლებოდა ის გვიანშუასაუკუნეებში. მექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნის ქართული საეკლესიო საბუთების შესწავლის შედეგად ცხადად ჩანს, რომ ცენტრალური და სამხრეთ აღმოსავლეთ აფხაზეთის მოსახლეობა ქართველურია, მათი გვარებისა და სახელების აბსოლუტური უმრავლესობა ქართულია. აფხაზურ-ადიღეური სამყაროდან გამოსული გვარებისა თუ ტომების მოძრაობას ჩრდილოეთ კავკასიიდან სამხრეთის, ანუ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიის მიმართულებით ნათლად გვაჩვენებს თვით აფხაზური ლეგენდები, მითოლოგია და აგრეთვე გადმოცემები აფხაზურ გვართა წარმომავლობების შესახებ. „ქართული კვალი“, რომელსაც დაუნდობელი

	ბრძოლა აქვს გამოცხადებული თანამედროვე აფხაზი და რუსი მეცნიერების მიერ ცხადად ჩანს აფხაზეთის ტოპონიმიკაშიც, თუმცა რაც უფრო ჩრდილოეთით მივდივართ ამ მხრივ იკლებს ქართული და მატულობს აფხაზურ-ადიღეური სამყაროსთვის დამახასიათებელი გეოგრაფიული სახელები. აფხაზურ-ადიღეური გავლენისა და შემდგომ მათი სამხრეთით ექსპანსიაზე პირდაპირ მიუთითებს ვახუშტი ბაგრატიონიც. ამ დროისთვის აფხაზეთსა და სამეგრელოს საზღვარიც მკვეთრად არის დაფიქსირებული და ის მდინარე კელასურზე გადის. პოლიტიკური საზღვარი მეჩვიდმეთე საუკუნეში უმნიშვნელოდ იცვლებოდ, ხოლო მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოდან მოყოლებული იწყება საზღვრის ეტაპობრივად გადმოტანა სამხრეთით. ამ პროცესს სავარაუდოდ ეთნიკური სურათის ცვლილებაც მოჰყვებოდა. ჩვენ შეგვიძლია შევდაროთ მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნის ქართული საეკლესიო წყაროების მიერ აღწუსხული მოსახლეობისა და მუჰაჯირთა სიების მონაცემები. ეს ურთიერთშედარება შემდგომი კვლევის საგანია. წინასწარი მონაცემებით ამ დროში დაშორებულ საბუთებში გვართა ნაწილი ერთმანეთს ემთხვევა, ნაწილი ოდნავ სახეცვლილია, ზოგიერთის წარმომავლობა აშკარად ქართველურია, ზოგიერთისა კი აფხაზური. ნაშრომში „აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკური სურათის ისტორიული საფუძვლები და განვითარების დინამიკა“ თავმოყრილია მთავარი მოსაზრებები ამ საკითხის შესახებ, საეკლესიო და ისტორიული წერილობითი წყაროებით უარყოფილია დღევანდელ აფხაზ მეცნიერეთა შორის არსებული მოდური მოსაზრება რომლის მიხედვითაც აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული მოსახლეობა ჩნდება მხოლოდ და მხოლოდ მუჰაჯირობის შემდეგ.
103	მოხსენება შეეხება საკრალური და პროფანული დროის დაპირისპირების საკითხს. მასში განხილული იყო საკრალურ დროსთან მისი ჰეტეროგენულობის საკითხები. საკრალური დრო არ არის ერთგვაროვანი, იგი წარმოადგება სხვადასხვა ფორმით, გააჩნია განსხვავებული ინტენსივობა და მუხლი, უკავშირდება კოსმიურ რიტმებს, რაც განსაკუთრებით კარგად ვლინდება დღესასწაულების პერიოდში.
104	გენდერული ურთიერთობების საკითხის კვლევის შედეგად ნათლად ჩანს, რომ გენდერული ურთიერთობები იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობაში რამდენადმე შეცვლილია. ქალი უფრო აქტიურია, მეტად არის ჩაბმული საზოგადოებრივ ცხოვრებაში და უფრო და უფრო მეტად იღებს თავის თავზე ოჯახის რჩენის სიმძიმეს. მამაკაცებში კი პირიქით, მიუხედავად იმისა, რომ ოჯახის რჩენა უფრო მეტად ქალის ფუნქციას წარმოადგენს, მამაკაცი მაინც ინარჩუნებს პრიორიტეტს და ოჯახიც ჯერ-ჯეროზით პატრიარქალური რჩება.
105	მოხსენებაში განხილულია აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის ტრადიციული სამედიცინო კულტურა. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მათ შენარჩუნებული აქვთ არაერთი სამკურნალო საშუალება სხვადასხვა სამკურნალო მცენარეული თუ მაგიურ-რელიგიური მეთოდი. ეს ფაქტი მათი დადებითი ეფექტით არის განპირობებული.
106	მოხსენება ეხება ქართველ მუჰაჯირთა ცნობიერების პრობლემას. ხაზგასმულია, რომ მთელი რიგი ფაქტორების გამო ქართველებმა უცხო ეთნიკურ გარემში ეთნიკური მენტალობა შეინაარჩუნეს. საუბარი ქართული ცნობიერების შენარჩუნების მიზეზებზე.
107	მოხსენება ეხება თურქეთში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველთა მემკვიდრეობით სახელებს, ანთროპონიმებს. საუბარია როგორც მუჰაჯირი ქართველების, ისე საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ მხარეებში მცხოვრები ქართველების გვარსახელების შესახებ.
108	ნაშრომი ეძღვნება აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას დაბადებიდან 125-ე წლისთავს,

	მის შემოქმედებას, რომელმაც ქართულ მეცნიერულ ეთნოლოგიას ჩაუყარა საფუძველი. დაწვრილებითაა განხილული აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას როგორც სამეცნიერო, ისე პედაგოგიური და სამუძუმო მოღვაწეობა.
109	მოხსენება ეხება მარმარილოს ზღვის რეგიონშიმცხოვრებ ქართველთა ანთროპონიმებს, რომლებიც დღემდე მათ ზეპირი გადმოცემის გზით შეინარჩუნეს.
110	სტატიაში განხილულია თურქეთში მცხოვრები ქართველების ეთნიკური ცნობიერების პრობლემები, საუბარია ქართული ეთნიკური სამყაროსაგან ტერიტორიულად მოწყვეტილი მუსლიმანი ქართველების ქართული მენტალობის/ცნობიერების შენარჩუნების ძირითად მიზეზებზე.
111	მოხსენება ეხება ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ეთნიკურ ერთობათა სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების შემაფერხებელი მიზეზების შესახებ. ძირითად მიზეზად მიჩნეულია ევრაზიის სტეპებში სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ნომადებთან ურთიერთობა.
112	სტატია ვრცელი მოცულობისა და ეხება ოსურ ეთნოგრაფიულ ენციკლოპედიაში ქართულ-ოსური ურტიერთობების დამახინჯებისა და ტენდენციურად წარმოდგენის ფაქტებს.
113	მოხსენებაში დასავლეთ საქართველოში კერძოდ კი, სამეგრელოში ტრადიციულ ღვთაებათა სალოცავების შესახებ არის საუბარი, რომელიც სამეურნეო ნაგებობასთან მარანთან იყო დაკავშირებული. აღწერილია დღესასწაულების ტრადიციული ფორმები. ტრადიციული რწმენა-წარმოდგენების რელიგიური სისტემის მაგიურ ხასიათს ოჯახის მეთაურები, ხნით უფროსი მამაკაცი მლოცველები ახორციელებდნენ.
114	ნაშრომში განხილულია ეთნოსოციალური საკითხები დასავლეთ-კავკასიური დიდი და მცირე ოჯახის.
115	მოხსენებაში ზემო იმერული სოფლის მაგალითზე ნაჩვენებია ზოგადად, ქართული სოფლის სამეურნეო და სოციო-კულტურული ტრანფორმაციის რამოდენიმე ასპექტი.
116	მოხსენებაში განხილულია სომხების ჩამოსახლების ისტორია ქვემო ქართლსა და სამცხე–ჯავახეთში, მათი დასახლების ფორმები, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები.
117	მოხსენება ეხება წალკელი ბერძნების იდენტობის დაცვა/შენარჩუნების საკითხს საქართველოში. განხილულია კულტურის მარკერების როლი (ენა,რელიგია) ამ მიმართულებით.
118	ნაშრომში ნაჩვენებია საქართველოს ებრაელების მიერ სათუთად შემონახული ებრაული რელიგიური დღესასწაულებისთვის დამახასიათებელი რეალიები, რომელსაც მათ ტრადიციულ ყოფაში განუსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდა.
119	ნაშრომში შესწავლილია ამ გამორჩეული დღესასწაულის რელიგიური მნიშვნელობა ებრაელთა თვითდამკვიდრების საქმეში.
120	მოხსენებაში ნაჩვენებია, რომ კავკასიელი ხალხების მიერ პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ კავკასიურმა ტრადიციულმა კულტურამ იწყო აგრარულიდან თანამედროვე ინდუსტრიულ ცივილიზაციაში დტრანსფორმირება. ეს ხდებოდა როგორც ცარისტული რუსეთის, ასევე საბჭოთა კავშირის პირობებში. კავკასიის ხალხთა მოდერნიზაციამ გამოიწვია მათი ტრადიციული ღირებულებების ნიველირება, ტრადიციულ და თანამედროვე კულტურას შორის მემკვიდრეობის ძაფის გაწყვეტა. ავტორის აზრით შესაძლოა კავკასიელ ხალხთა ტრადიციული ღირებულებების მოდერნიზაციასთან სინთეზირებით, შესაძლოა მივიღოთ თანამედროვე კავკასიური ცივილიზაცია, რაც რეგიონის კულტურული და იდეოლოგიური ბაზა გახდება.
121	მოხსენებაში ნაჩვენებია, რომ ქართველებს და ჩერქეზებს კავკასიაში

	მცხოვრებ სხვა ხალხებთან ერთად ეკუთვნის ისტორიული როლი კავკასიური აგრარული ცივილიზაციის ფორმირებაში. ისინი ქმნიან კავკასიურ საკომუნიკაციო ურთიერთობათა ამსახველ ეთნოკულტურულ ინსტიტუტებს, როგორიცაა: სტუმარ-მასპინძლობა, სუფრა, ათალიყობა, ყონაღობა და ა.შ. ყოველივე ამის შედეგად დღეს მსოფლიო გლობალიზაციის, ინფორმაციული ცივილიზაციის პირობებში ქართველებისა და ჩერქეზების, როგორც რეგიონის სხვა ხალხე სხვა ხალხებსაც დემოკრატიული განვითარების პროცესში, შესალებლობა ეძლევათ გადადგან ტრადიციული და თანამედროვე კულტურის სინთეზირების პრობლემა. ავტორის აზრით, ამით შესაძლებელი იქნება შესაბამისობაში იქნას მოყვანილი.
122	მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნული იყო დღევანდელი გადასახედიდან ალექსანდრე ჯავახიშვილის ანთროპოლოგიური ნაშრომების მნიშვნელობა და თანამედროვეობასთან კავშირი.
123	მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია მტკვარ–არაქსის კულტურის ძეგლების შესწავლის მდგომარეობაზე ანთროპოლოგიური, არქეოლოგიური და ამ კულტურის მატარებელ ტომთა ისტორიის შესწავლის თანამედროვე მდგომარეობაზე. აღნიშნულია, რომ ამ კულტურის ძეგლები არქეოლოგიურად მეტ გამოვლენას და შემდგომ უფრო ღრმა შესწავლას მოითხოვს. ანთროპოლოგიური მასალის სიმწირე არ იძლევა მკაფიო ისტორიული დასკვნების გაკეთების საშუალებას.
124	მოხსენებაში, ანთროპოლოგიური და ეთნოლოგიური მონაცემების საფუძველზე წარმოდგენილი იყო სვანების ანთროპოლოგიური ტიპის დახასიათება. აღნიშნა, რომ მათთვის დამახასიათებელი ანთროპოლოგიური ნიშნები სხვადასხვა დოზითა და მიმართებით მიმოფანტულია საქართველოს თანამედროვე მოსახლეობაში.
125	მოხსენებაში მკაფიოდ დაისვა საკითხი სპეკულაციების თავიდან აცილების მიზნით საქართველოს უძველესი და თანამედროვე მოსახლეობის სრული გენომის დონეზე გამოკვლევის აუცილებლობა, ხოლო შემდგომში მათი ფიზიური ანთროპოლოგიის (თანამედროვე და პალეომოსახლეობის) მონაცემებთან შეჯერება. საბოლოო დასკვნების სანდოობა კი მნიშვნელოვნად იმატებს და ისტორიული ფაქტების, ლინგვისტიკური კონსტრუქციების უძლიერეს არგუმენტად იქცევა.
126	მოხსენება ეხება ენეოლითი - ადრეული მტკვარ-არაქსის დროის მონაკვეთის ადამიანთა ძვლოვანი ნაშთების ანთროპოლოგიურ-პათოლოგიურ გამოკვლევასა და შედეგებს. ქვემო ქართლში, თეთრიწყაროს რაიონის, ადგილ „ნაჭივჭავებში“ ჩემს ხელთ არსებული კრანიომასალის შესწავლა-გამოკვლევისა და ციფრული მონაცემების საფუძველზე დადასტურდა 4 რასობრივი ერთეული, 5 კრანიოლოგიური ტიპით. თავის ქალას დოლიქო-მეზოკრანული ფორმები და მასიური, გრაცილური და ჩვეულებრივი ნორმალური ტიპები. რაც შეეხება პათოლოგიურ პრობლემებს, ის ძირითადად ექვემდებარება რეგიონის ტერიტორიაზე არსებულ წიაღისეული სიმდიდრეების მოპოვება-დამუშავება-გამოყენებას, ასევე ყოფით და ადაპტაციურ ფაქტორებს. ძალზე მნიშვნელოვანია პათოლოგიური პრობლემების აღმოფხვრა სხვადასხვა ქირურგიული მანიპულაციების საშუალებით, რაც შესანიშნავად ჩაუტარებია გონებამახვილ და გამოცდილ მკურნალს.
127	სტატია წარმოადგენს საბოლოო დასკვნას 2010 წლის ზაფხულში, ცაგერში, წმ. მაქსიმე აღმსარებელის მამათა მონასტრის მცირე ეკლესიაში, სარესტავრაციო სამუშაოების დროს აღმოჩენილი ძვლოვანი ნაშთების შესახებ.
128	მოხსენებაში განხილული იყო სართველოს შუასაუკუნეების მოსახლეობა მონაცემები ორი დამოუიდებელი ნიშანთა სისტემის ფიზიოლოგიური სტრესის

	მარკერების და დისკრეტულად-ვარირებული ნიშნების მიხედვით. გამოვლინდა, რომ ადრეული და განვითრებული შუა საუკუნეების მოსახლეობაში ძალიან მაღალია თავის ქალას სხვადასხვა არეში გავრცელებული ჰიპეროსტოზების სიხშირე, რაც სხვადასხვა ინფექციურ დაავადებებს და ეპიდემიებს უკავშირდება. გვიანი შუა საუკუნეების მოსახლეობა განიცდიდა გარემო პირობების არახელსაყრელ ზეწოლას, რაც გამოიხატა ანემიებისა და მწვავე ინფექციების მაღალი ალბათობით, სიცივით გამოწვეული სტრესით და სიცოცხლეში კბილების დაკარგვის მაღალი კონცენტრაციით. გვიანი შუა საუკუნეების მთის მოსახლეობაში ტრავმატული დაზიანების მაღალი სიხშირე აღინიშნება. შუა საუკუნეების მოსახლეობაში ასევე იზრდება დისკრეტულად-ვარირებულ ნიშანთა სპექტრი (0,9442 – 0,9545 – 0, 9697). ჰიპეროსტოზების მაღალი სიხშირის მიზეზად გვევლინება შუა საუნეების დროს შედარებით დაბალი ტემპერატურა, ორგანიზმის გადაცივება ხშირი ეპიდემიების გავრხელების ფონზე.
129	მოხსენება შეეხება ტერმინ „ნეოლითური რევოლუციის" ქვეშ ნაგულისხმევი ეპოქის ირგვლივ არსებულ საპოლემიკო პრობლემებს. აღნიშნულია, რომ „ნეოლითური რევოლუცია" ჩვენ უნდა ვუწოდოთ იმ ცვლილებებს, რომელიც მოხდა ადამიანთა საციალური ორგანიზაციის ფორმების ცვლილებებში. წარმოუდგენელია მზარდი პოლიტარხიული, ანუ მმართველი კასტის წარმოქმნის გარეშე საყოველთაო ცვლილებების დაფიქსირება მეურნეობის ფორმებზე. ამის შედეგია შრომის ორგანიზაციის ფორმების წარმოშობა რის გარეშეც შეუძლებელია მიწათმოქმედების და მესაქონლეობის წარმოქმნა. სხვანაირად წარმოუდგენლად გვეჩვენება დადგეს მიწათმოქმედების რთული პროცესის წარმოქმნის აუცილებლობა იმდროინდელი მონადირე და მეთევზე საზოგადოებისათვის, რომელიც ისედაც უფრო იოლი და ტრადიციულად მისთვის ათასწლეულებით აპრობირებული და მოხერხებული ფორმებით კარგად ახერხებს თავის გამოკვებას. ნეოლითურ რევოლუციას აღწევს იმ ტომთა ჯგუფი, სადაც საზოგადოება აღწევს გარკვეულ სოციალურ წესრიგს მმართველობის სისტემაში და კულტში, პირველ რიგში კი მიცვალებულის კულტში, რაც საფლავების პატივისცემაში გამოიხატება და რომელი უკანასკნელიც განსაზღვრავს არა მარტო მიწათმოქმედი, არამედ მეთევზე და მონადირე მოსახლეობის ბინადრობის ხარისხს.
130	მოხსენებაში წარმოდგენილია სამეგრელოს რამოდენიმე ტოპონიმის ინტერპრეტაცია, რომელიც დამატებით მნიშვნელოვან მასალაა ამ რეგიონის უძველესი ეთნიკური ისტორიის კვლევისას. აღნიშნულია, რომ ეს ჰიდრონიმიული გეოგრაფიული სახელწოდებები („სინწა", „ძაღვა", „უმპია"), რომლებიც ერთ მიკრორეგიონში, დაახლოებით ათიოდე კილომეტრის რადიუსშია თავმოყრილი, იხსნება იბერიულ–კავკასიურ ენებში შემორჩენილი უძველესი ლექსემებით და ეს ჰიდრონომია მიუთითებს ამ ენაზე მოსაუბრე ტომთა ოდინდელ ერთობაზე და ნათესაობაზე, რომელიც ძვ. წ. IV–III ათასწლეულებში უნდა მოვიაზროთ.
131	მოხსენებაში წარმოდგენილია ელინისტური ხანის ბერძენ ავტორებთან მოხსენიებული კოლხეთის ქალაქების–აია–კჳიტაიას და სიბარისის ადგილმდენარეობის დადგენის ცდა. აღნიშნულია, რომ აია–კჳიტაია იგივე ნოქალაქევია, სადაც ასევე მდებარეობს თანამედროვე სოფელი კოტიანეთი იგივეა ქალაქი სიბარისი, რომელიც მხოლოდ დიოდორე სიცილიელთან (I ს. იხსენიება.
132	მოხსენებაში განხილულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული XI საუკუნის ხელნაწერის – ეფრემ მცირის ჰომილეტიკური კრებულის (შ-1276) გვიანდელი მინაწერები, რომლებიც ტაოში მოსახლე წმედისძეთა ფეოდალური სახლს უკავშირდება და გარკვეულია, რომ XV საუკუნის II ნახევარში, მას შემდეგ, რაც ტაოს ერისთავებმა –

	ფანასკერტელთა ფეოდალური სახლის წევრებმა სამხრეთ-დასავლეთ საქართველო დატოვეს და ქართლში გადასახლდნენ, მათმა ყოფილმა ვასალებმა – წმედისძეებმა აყ-ყოინლუს სახელმწიფოსადმი დაქვემდებარებულ ქალაქ ერზინკაში გაბატონებული ახიათა მუსლიმური ორდენისაგან ხახულის თემი „იშოვნეს“, სოფელ ხახულში დასახლდნენ და წმედისძე-ხახულართა გვარი მიიღეს. გარდა ამისა, მოხსენებაში გარკვეულია ისიც, რომ იმავე XV საუკუნის II ნახევარში სამცხის მთავარმა ყვარყვარე II ჯაყელმა წმედისძეებს ოშკის მონასტერი გადასცა და ამ გზით, ისინი საკუთარ ვასალებად აქცია.
133	მოხსენებაში განხილულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული 1560 წლის ტიპიკონის (A-1353) გადამწერის ზაქარიას მიერ შესრულებული ანდერძები და გარკვეულია, რომ ამ ანდერძებიდან ერთ-ერთი კოლოფონი „ვეფხისტყაოსნის“ ჩვენამდე მოღწეულ უძველეს თარიღიან სტროფს შეიცავს, ხოლო მეორე კოლოფონი მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის კახეთის მეფის ლეონის მეუღლის, დედოფალ თინათინ გურიელის ბიოგრაფიის შესახებ.
134	მოხსენებაში განხილულია კრაკოვის ეროვნული მუზეუმის თავადი ჩარტორიისკების ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ხელნაწერი წიგნების გრიგოლ ფერაძის კატალოგთან დაკავშირებული საკითხები და გარკვეულია, რომ აღნიშნული კატალოგი, რომლის თაობაზეც სამეცნიერო ლიტერატურაში ძალზედ ზოგადი და ბუნდოვანი ცნობები გვხვდება, ამჟამად თავადი ჩარტორიისკების ბიბლიოთეკაში დაცულ ერთ-ერთ არარეგისტრირებულ საარქივო საქმეში პოლონური თარგმანის სახით არის ჩართული. გარდა ამისა, მოხსენებაში გარკვეულია ისიც, რომ გრიგოლ ფერაძის კატალოგი თავადი ჩარტორიისკების ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერი წიგნების შესახებ, ამავე წიგნებისადმი მიძღვნილ სხვა პუბლიკაციებთან შედარებით, ბევრად უფრო ზუსტ და მართებულ ინფორმაციას გვაწვდის.
135	მოხსენებაში განხილულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული XI საუკუნის ხელნაწერის – ეფრემ მცირის ჰომილეტიკური კრებულის (S-1276) გვიანდელი მინაწერები, რომლებიც ტაოში მოსახლე წმედისძეთა ფეოდალური სახლის წევრებს უკავშირდება და გარკვეულია, რომ XV საუკუნის II ნახევარში წმედისძეებმა ერზინკელი მუსლიმებისაგან ხახულის თემი „იშოვნეს“ და იქ დამკვიდრდნენ, რის შემდეგაც მათ წმედისძე-ხახულართა გვარი მიიღეს. გარდა ამისა, მოხსენებაში გარკვეულია ისიც, რომ იმავე XV საუკუნის II ნახევარში სამცხის მთავარმა ყვარყვარე II ჯაყელმა წმიდისძეებს ოშკის მონასტერი გადასცა.
136	მოხსენებაში განხილულია კრაკოვის ეროვნული მუზეუმის თავადი ჩარტორიისკების ბიბლიოთეკაში დაცულ XI საუკუნის თვენში (Kr-1919) შეტანილი წმ. ნინოს ჰიმნოგრაფიული კანონი, რომლის არსებობაც სამეცნიერო საზოგადოებისათვის აქამდე უცნობი იყო და გარკვეულია, რომ ჰიმნოგრაფიული კანონის ეს ნუსხა ამავე ტექსტის კიდევ ერთი, XI-XII საუკუნეების კარგად ცნობილი ნუსხისაგან (H-2338), სტრუქტურისა და გალობათა სახელდების თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად განსხვავდება, რაც, თავის მხრივ, იმით შეიძლება აიხსნას, რომ დასახელებული ნუსხები წმ. ნინოს ჰიმნოგრაფიული კანონის შემდგენლის გიორგი მტაწმიდელის მიერ ამ ტექსტზე მუშაობის ორი სხვადასხვა ეტაპის ამსახველ ტექსტებს წარმოადგენს.
137	მოხსენებაში განხილულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული XII საუკუნის სვინაქსრის (A-222) ათამდე გვიანდელი მინაწერი, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის, უფრო ზუსტად კი ხადასა და ხევში მოსახლე მეთემეების მიერ XIV-XVI საუკუნეებში გაცემულ იურიდიულ დოკუმენტებს – მინაწერ საბუთებს წარმოადგენს და გარკვეულია, რომ ეს დოკუმენტები, რომლებიც მკვლევართა მიერ აქამდე არასოდეს ყოფილა შესწავლილი, უძვირფასეს ცნობებს გვაწვდის ხადისა და

	ხევის მოსახლეობის სოციალური, ეკონომიკური და სამართლებრივი ყოფის, ხადის უპირველესი სასულიერო ცენტრის – წმ. გიორგის ეკლესიის, საქართველოს სამეფო კარის მიერ ხადის მმართველად დანიშნული ვირშელ დუდურის შესახებ და სხვ.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მარიამ ჩხარტიშვილი, ს. ქადაგიშვილი, ზ. თარგამაძე	National Dress as an Expression of Authenticity in the Georgian Nationalistic Discourse	20-21 მაისი, ლა საპიენცას უნივერსიტეტი, რომი, იტალია
2	მარიამ ჩხარტიშვილი, ს. ქადაგიშვილი	David the Builder in Medieval and Modern Narratives	6-9 ივლისი, ლიდსის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი
3	ვაჟა კიკნაძე	რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ამსახველი პირველი დოკუმენტი; ახალი ხედვა და ინტერპრეტაცია (ინგლისურ ენაზე)	19-22 ნოემბერი, ფილადელფიის უნივერსიტეტი, აშშ
4	ეკა კვაჭანტირაძე	ევროპა და ქრისტიანული ფასეულობები	21-22 ნოემბერი, მიუნხენი, გერმანია
5	ნიკოლოზ ჯავახიშვილი	ქართველი მხედართმთავრები II მსოფლიო ომში	5 მაისი, აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემია და ისტორიის მუზეუმი, ბაქო, აზერბაიჯანი
6	ნიკოლოზ ჯავახიშვილი	ქართულ-პოლონური ურთიერთობის სათავეებთან (XV-XVII საუკუნეები)	28 სექტემბერი – 2 ოქტომბერი ვარმია-მაზურის უნივერსიტეტი, ოლშტინი, პოლონეთი
7	ქეთევან ხუციშვილი	საზვრების გადალახვა ქვემოდან (ზუგდიდისა და გალის რაიონების მაგალითზე)	27-28 თებერვალი, სტამბოლი, თურქეთი
8	ქეთევან ხუციშვილი	ინოვაციური კვლევები	24-26 მარტი, პრაღა, ჩეხეთი
9	ქეთევან ხუციშვილი	გაზიარებული სალოცავების ქვემო ქართლის რეგიონში (საქართველო)	15-16 მაისი, ბაქო, აზერბაიჯანი
10	ქეთევან ხუციშვილი	რელიგიური რიტუალები მშვიდობიანი თანაარსებობისავის (საქართველოს მაგალითი)	22-24 ივნისი, ბუქარესტი, რუმინეთი
11	ქეთევან ხუციშვილი	რელიგიურობის ფორმები ახალგაზრდა იძუილებით	15-18 ოქტომბერი სანკტ-პეტერბურგი, რუსეთი

		გადაადგილებულ პირებში	
12	ნათია ჯალაბაძე	გენდერი და სივრის დიქოტომია ქართველ მთიელთა ტრადიციულ კულტურაში	2-5 ივლისი, ეკატერინბურგი, რუსეთი
13	ლიანა ბითაძე, ე. ყვავაძე, კ. ყიფიანი, გ. გოგოჭური, გ. ბედიანიშვილი	Palaeoecology and morphological adaptation of population during the Early Bronze Age: Chobareti and Tiseli seri settlements and cemeteries of the Kura-Araxes culture	4-5 ნოემბერი, ლიონი, საფრანგეთი
14	თეიმურაზ ჯოჯუა	ქართული ქალკედონური მონასტრები დღევანდელ ჩრდილოეთ სომხეთში (11-14 სს.) (ინგლისურ ენაზე)	31 იანვარი, ტოკიოს უნივერსიტეტი, იაპონია
15	თეიმურაზ ჯოჯუა	ქართული ქალკედონური მონასტრები დღევანდელ ჩრდილოეთ სომხეთში (13-14 სს.): ახტალის მონასტერი და კობაირის მონასტერი (ინგლისურ ენაზე)	7 თებერვალი, კობეს უნივერსიტეტი, იაპონია
მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე			
1	ეს მოხსენება წაკითხულ იქნა საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა მიმდინარე წელს რომში, რომის ლა საპიენცას უნივერსიტეტში. ჩემი თანაავტორები არიან ჩემი ზემოთ დასახელებული დოქტორანტები. მოხსენება ეხება ტანისამოსის, როგორც იდენტობრივი მარკერის, ანალიზს. კონკრეტული მაგალითებით რეპრეზენტირებულია ამ კუთხით საქართველოს ისტორია, სპეციალური აქცენტი კეთდება მეცხრამეტე საუკუნესში ქართველთა ეროვნულ ნარატივში ტანისამოსის კონცეპტუალიზაციის საკითხს და იმ კონტექტს, რომელშიც უნდა გავიაზროთ იგი. ესაა კულტურულ-პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი; გამოყენებულია მრავარიცხოვანი და ტიპობრივად მრავალფეროვანი წყაროები.		
2	მოხსენება ეძღვნებოდა დავით აღმაშენებელს და მის ეპოქას ანუ ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთ-ერთ ყველაზე კარგად შესწავლილ ეპოქას, მაგრამ ჩვენი მიდგომა იყო ახალი, კერძოდ, ჩვენ თავიდან ყურადღება გავამახვილეთ ისტორიული მეხსიერების ფენომენზე. ისტორიისა და კოლექტიური მეხსიერების ურთიმიმართება მრავალი მეცნიერის ყურადღებას იპყრობს მთელს მსოფლიოში. ამ საკითხს ეძღვნება არაერთი თეორიული გამოკვლევა. ეს ძიებანი ეფუძნება სხვადასხვა ისტორიულ გამოცდილებას და შედეგად გვაქვს ღრმა, როგორც კონკრეტული, ისე ზოგადი ხასიათის დასკვნები. ჩვენი მოხსენება წარმოადგენდა მცდელობას აღნიშნული საზოგადო პრობლემა გამოკვლეულ ყოფილიყო ქართული მაგალითის საფუძველზე. ამისათვის ჩვენ შევარჩიეთ მე-11 – მე-12 საუკუნეების საქართველო და მეფე დავით აღმაშენებელი. მეფე დავითი, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა იყო, როცა მან ჩაიბარა დასუსტებული ქვეყანა. გარდაცვალების მერე კი მან დატოვა ძლიერი სახელმწიფო, ფაქტობრივად, ქართული იმპერია. ქართული სამეფოს პოლიტიკურ აღმასვლას თან სდევდა კულტურული მიღწევები. ეს ტრანსფორმაცია შედეგი		

	იყო იმ ინოვაციებისა, რომლის ინიცირება მოახდინა მეფე დავითმა სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში: სახელმწიფოს ადმინისტრაციული სტრუქტურა, სასამართლო, არმია, ეკლესია, განათლების სისტემა, საფინანსო სისტემა რეფორმირებულ იქნა. მოხსენებაში ჩვენ მხოლოდ მოკლედ წარმოვაჩინეთ ამ რეფორმების ფაქტობრივი ისტორია (რა მოხდა სინამდვილეში), ძირითადად, კი შევჩერდით იმაზე თუ როგორ დაილექა ეს ვითარება ქართველთა კოლექტიურ მეხსიერებაში. წყაროები, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია: გაანალიზდა არა მარტო საისტორიო მწერლობა, არამედ მხატვრული ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, მემუარები, სოციალური ქსელების მასალა და სხვ. კვლევამ აჩვენა, რომ შუა საუკუნეების ნარატივებში მეფე დავითი, როგორც პიროვნება, წარმოდგენილია სრულიად დადებითად ანუ ხატად; მაგრამ საინტერესო ისაა, რომ თანამედროვე ნარატივებიც არსებითად იგივეს გვთავაზობენ: ეროვნული გმირი დავით მეფე კვლავაც ხატად გაიაზრება, ხოლო მისი მოღვაწეობის ეპოქა კონცეპტუალიზდება, როგორც საქართველოს ისტორიის „ოქროს ხანა“. თუ რეალური დავით აღმაშენებელი ქართველი ერის ისტორიის ერთ კონკრეტულ მონაკვეთს უკავშირდება, კოლექტიური მახსოვრობაში გადასული დავით მეფე ყველა ეპოქაში თავისებურად, მაგრამ მაინც ყოველთვის ქართული იდენტობის ფუნდამენტური მარკერია.
3	მოხსენებაში განხილული იყო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პირველი, რუსულ ენაზე შემორჩენილი, დოკუმენტი – კახეთის მეფის ალექსანდრე I-ის წერილი მოსკოვიდ დიდ მთავარ ივანე III-ს (1483 წელი). ოხსენების დედააზრი ის არის, რომ კახეთის მეფის წერილის რუსულმა თარგმანმა, მოსკოვის მთავრის კანცელარიაში განიცადა სერიოზული ცვლილებები და კორექტირებები. კერძოდ, უაღრესად განდიდებული მოსკოვის დიდი მთავარი, კახეთის მეფე კი, დამამცირებელი ეპითეტებით იხსენიება. ჩემი აზრით, ბაგრატიონთა ჩამომავალი მეფე საკუთარ თავს არ უწოდებდა მოსკოვის მთავრის „უმცირეს მონას.“
4	ქრისტიანობა გარდამტეხი მოვლენაა ევროპის ცხოვრებაში, ისევე როგორც მსოფლიო ისტორიაში, რომელმაც რადიკალურად შეცვალა ევროპული საზოგადოების მენტალობა. ქრისტიანობამ გადაარჩინა მრავალი ქვეყანა სულიერი დეგრადაციისგან. მაგალითად რომი, რომელიც უმძიმეს სულიერ კრიზისს განიცდიდა სწორედ ქრისტიანობამ გამოიყვანა ამ მდგომარეობიდან. ქრისტიანობას უმთავრესი დატვირთვა ენიჭება ქართული სამყაროს განვითარებისათვისაც. ქრისტეს რჯულის მიღებით იწყება ქართველი ხალხის ეროვნული მისიის განსაზღვრა. საქართველო მოექცა განსაკუთრებულ გეოპოლიტიკურ მდგომარეობაში, რამდენადაც ქრისტიანობამ გამიჯნა ის მაზდეანური სამყაროსგან და განსაზღვრა მისი მარადიული ხვედრი და დანიშნულება. ქრისტიანობა ხდება ქართული იდენტობის მთავარი მარკერი. მოხსენებაში გაანალიზებულია ევროპის ქრისტიანული ფასეულობები შემდეგი საკითხების განხილვით: ქრისტიანობის ოფიციალური აღიარება რომში; ჰენოტიკონი - ღირებულებითი თუ რელიგიური დათმობა; იუსტინიანეს პრინციპი ,,ერთი სახელმწიფო, ერთი რელიგია’’; ახალი ევროპული სახელმწიფოების ღირებულებითი სისტემა ქრისტიანიზაციის პროცესში; ცნება ,,ევროპა’’ - გეოგრაფიული სახელწოდება თუ ქრისტიანული კუთვნილება?; დიდი სქიზმა - საეკლესიო თუ პოლიტიკური ფაქტორების ზეგავლენა?; გრიგორიანული რეფორმა - ეკლესია და ქრისტიანული ევროპა; ქრისტიანული ევროპის აღორძინება;

	ევროპული თვითცნობიერების ჩამოყალიბება; ევროპული რევოლუციები - ერთი ღირებულებისადმი კუთვნილება.
5	მოხსენებაში შესწავლილია მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ქართველი მხედართმთავრების დამსახურება და მათი ჯილდოები. დასაბუთებულია, რომ სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში მომსახურე ქართველმა მხედართმთავრებმა უდიდესი წვლილი შეიტანეს ფაშიზმის დამარცხებაში.
6	მოხსენებაში შესწავლილია თუ საიდან დაედო სათავე ქართულ-პოლონური ურთიერთობის ისტორიას. დადგენილია, რომ პოლონეთის მეფეს, იაგელონთა დინასტიის წარმომადგენელს იან I ოლბრახტს 1495 წელს ეწვია ქართლის მეფის კონსტანტინე მეორის ელჩი და გადასცა თავისი მონარქის შეთავაზება ანტიოსმალურ კოალიციაში ჩაბმის შესახებ. ქართველ ელჩს მიჰქონდა კონსტანტინე მეორის წერილი ესპანეთის დედოფალთან იზაბელასთან, რომლის ტექსტიც შეიტანეს „ლიტვის მეტრიკაში“. ამავე მოხსენებაში შესწავლილია ქართულ-პოლონური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ მესამედში. ამ ურთიერთობის ინტენსიური ხასიათი დოკუმენტურად დასტურდება როგორც საისტორიო წყაროებით, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე განძების სახით აღმოჩენილი ანალოგიურ პერიოდში მოჭრილი პოლონური მონეტებით.
7	მოხსენებაში განხილულია დე-ფაქტო საზღვრის ირგვლივ არსებული მდგომარეობა, საკომინიკაციო არხები და მათი გამოყენების ინტენსიობა.
8	მოხსენებაში განხილილია ანთროპოლოგიური კვლევების ინოვაციურობის მახასიათებლები გობალურ და ლოკლურ დონეებზე.
9	მოხსენებაში ქვემო ქართლის ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე განხილულია ქრისტიანებისა და მუსლიმების მიერ სალოვაცად ერთი და იგივე ტერიტორიის გამოყენების პრაქტიკა.
10	მოხსენებაში გაანალიზებულია მულტიკულტურულ გარემოში რელიგიური ფაქტორის მნიშვნელობა მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის. ნაშრომი ემყარება ეთნოგრაფიულ მონაცემებს.
11	ნაშრომში განხილულია ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა რელიგიურობის გამოვლინების ფორმები და შედარებულია ზოგად ტენდენციებთან.
12	მოხსენება ეხება ქართველ მთიელთა ყოფაში ქალისა და მამაკაცის სოციალური როლების, უფლება-მოვალეობებისა და იერარქიული პოზიციების მიმართებას სივრცის დიქოტომიასთან. განხილულია მაგალითები როგორც საოჯახო ყოფიდან, ისე ჩვეულებითი სამართალებრივი და ტრადიციული რელიგიური პრაქტიკიდან.
13	მოხსებაში განხილული იყო მტკვარ-არაქსის კულტურით გაერთიანებული მოსახლეობის მორფოლოგიური პოლიმორფულობა, სხვადასხვა ეკოლოგიური გარემოში განსახლება და მორფოლოგიური ადაპტაცია.
14	მოხსენებაში განხილულია ამჟამინდელი სომხეთის რესპუბლიკის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ქალკედონური საეპისკოპოსო კათედრის – ჰნევანქის ტაძრის XI-XIV საუკუნეების ისტორიის ცალკეული საკითხები. მოხსენება, ძირითადად, ემყარება ჰნევანქის ეკლესიის მრავალრიცხოვან ქართულ ლაპიდარულ წარწერებს, რომელთა უმეტესი ნაწილი დიდი ხნის მანძილზე დაკარგულად იყო მიჩნეული და რომლებიც, მოხსენების ავტორის მიერ არის ხელმეორედ მიკვლეული, ახლებურად წაკითხული და აკადემიური სახით გამოქვეყნებული. ამ ლაპიდარულ წარწერათაგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ათაბაგ-ამირსპასალარის შანშე II მხარგრძელის მწიგნობართუხუცესის მათეს დედ-მამის – მამათმთავარ გიორგისა და მართას ეპიტაფიები, დმანელი ეპისკოპოსის თევდოსე კალონაპეტის ფეოდალური სახლის წევრების – მამა იოსებისა და

	მამა კირილეს საფლავის ქვის წარწერები და სხვ.
15	მოხსენებაში განხილულია ამჟამინდელი სომხეთის რესპუბლიკის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ქალკედონური სავანეების – ახტალისა და ქობაირის მონასტრების XIII-XIV საუკუნეების ისტორიის ცალკეული საკითხები. მოხსენება, ძირითადად, ემყარება ახტალისა და ქობაირის მონასტრების მრავალრიცხოვან ქართულ ლაპიდარულ წარწერებს, რომელთა ერთი ნაწილი, მაგალითად, ახტალის იოანე ოქრომჭედლის იურიდიული ეპიგრაფიკული აქტი ბერად აღკვეცილი ათაბაგ-ამირსპასალარის ივანე I მხარგრძელის მოხსენიებით, ქობაირის მონასტრისა და მთავარი ეკლესიის აღმშენებლის, მანდატურთუხუცეს შანშე I მხარგრძელის მეუღლის, ამირსპასალარ ზაქარია II მხარგრძელის დედისა და ლაკლაკთა ფეოდალური სახლის ასულის ხვაშაქის ეპიტაფია და სხვ. მოხსენების ავტორის მიერ არის მიკვლეული, შესწავლილი და გამოქვეყნებული.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1				
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

IV. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1				
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

დაწესებულება თუ საჭიროდ თვლის, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (2 ეგზემპლარად) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.


ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დებულების მე-2 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.

თსუ ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელთა 2015 წლის სამეცნიერო და სხვა სამუშაოების ანგარიში

2015 წელს ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს 17 ეროვნულ და საერთაშორისო პროექტში, რომლებიც ფინანსდებოდა სხვადასხვა ფონდის მიერ სხვა ორგანიზაციების ბაზაზე.

აღსანიშნავია, რომ ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში 2015 წელს ჩატარდა სამეცნიერო კონფერენციები:


1. **28-29 მაისს** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ მამია დუმბაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია: **„მამია დუმბაძე – 100.“**
2. **10-12 ნოემბერს** – მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეულის, „საქართველო – 2015“ ფარგლებში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტთან ერთად, გიორგი ჩიტაიას დაბადებიდან 125 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია: **„ეთნოლოგია გუშინ და დღეს: კულტურის კვლევები და პრობლემები.“**
3. **25-27 ნოემბერს** – მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეულის, „საქართველო – 2015“ ფარგლებში მოეწყო სამეცნიერო კონფერენცია.









2015 წელს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტმა გამოსცა პერიოდული გამოცემები: „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“ №1 (16); კავკასიის ეთნოლოგიური კრებული XVI; „ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი“ XVII.







2015 წლის 10 და 25 დეკემბერს ინტიტუტში ჩატარდა „საინსტიტუტო საუბრები," რომლის ფორმატიც მოიცავდა შეხვედრას თსუ-ს სტუდენტებთან თემაზე: „ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი – წარსული და თანამედროვეობა;" ასევე, ინსტიტუტის ყველა განყოფილებამ, ბიბლიოთეკამ და საარქივო ფონდმა წარმოადგინა მიმდინარე წლის მუშაობის ანგარიში; შედგა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის, 2015 წელს დასრულებული პქოექტის ფარგლებში გამოცემული წიგნის – „ოკუპირებული ახალგორის რაიონი და ქართულ-ოსური ურთიერთობის დინამიკა" – პრეზენტაცია (ავტორები: ნათია ჯალაბაძე, ლავრენტი ჯანიაშვილი, მედეა ბურდული).

მიმდინარე წლის 17 დეკემბერს ინსტიტუტში მოწვევით იმყოფებოდა ქ. ვერონას (იტალია) უნივერსიტეტის პროფესორი სტეფანო ალოე, რომელმაც წაიკითხა ლექცია: „ანჯელო დე გუბერნატისი – აღმოსავლეთმცოდნეობისა და სლავისტიკის პიონერი იტალიაში. ასევე, მოეწყო მისი შეხვედრა თსუ-ს სლავისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტთან. მომავალში კი, დაიგეგმა თანამშრომლობის განმტკიცება ვერონას უნივერსიტეტთან.

გარდა სამეცნიერო გეგმით გათვალისწინებული სამუშაოებისა, ინსტიტუტმა 2015 წელს განახორციელა სხვა საქმიანობებიც, რისი აღნიშვნაც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია:

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ძირითადად, სამუშაოები მიმდინარეობდა რამდენიმე მიმართულებით: 1. ფონდების სისტემატიზაცია/ოპტიმიზაცია; 2. ფონდების შევსება; 3. ფონდების ტექნიკური დამუშავება და კატალოგიზაცია; 4. მკითხველთა მომსახურება; 5. მკითხველთა სააღრიცხვო სისტემის ოპტიმიზაცია;

6. საბიბლიოთეკო საქმისწარმოების კომპიუტერიზაცია. შესაბამისად, განხორციელდა შემდეგი ტიპის სამუშაოები:

1. **ფონდების სისტემატიზაცია/ოპტიმიზაცია** – ფონდებიდან შეირჩა არაპროფილური ლიტერატურა და გადავიდა დამატებით ფონდში. ასევე, ძირითადი ფონდებიდან გამოიყო არასრული გამოცემები, ე. წ. ამონაბეჭდები და განხორციელდება მათი ცალკე ფონდად დაკომპლექტება. დასრულდა ვ. დონდუას ფონდის სრული გადამოწმება-გადამუშავება, ტექნიკური განახლება (აფთრათები და საფონდო აღნიშვნები).

2. **ფონდების შევსება** – მიმდინარე წელს შევსება განხორციელდა ქართულ (ძირითად), რუსულ, ევროპულენოვან წიგნთა, ასევე, ქართულ, რუსულ და უცხოენოვან პერიოდულ გამოცემათა ფონდებში.

3. **ფონდების ტექნიკური დამუშავება და კატალოგიზაცია** – ყველა ახლადშემოსული ერთეული აღირიცხა შემოსულობათა საფონდო საინვენტარო ნუსხებში, განისაზღვრა მათი ფონდობრივი კუთვნილება, დამუშავდა ერთეულები ტექნიკურად (დაისვა ერთეულებზე შესაბამისი ფონდის და ფონდში რიგითობის აღმნიშვნელი აფთრათები, ჯიბაკები, შეივსო ფორმულარები და დაერთო ერთეულებს), შეივსო საკატალოგე ბარათები როგორც საავტორო, ასევე თემატური საძიებო კატალოგებისთვის და მონაცემები ერთეულების შესახებ შევიდა ელექტრონულ კატალოგში.

4. **მკითხველთა მომსახურება** – ბიბლიოთეკაში მკითხველთა რამდენიმე კატეგორია გამოიყოფა: თანამშრომლები, სხვა მეცნიერ-მკვლევარები, სტუდენტები (ბაკალავრები, მაგისტრანტები), დოქტორანტები.

მკითხველთა მომსახურების ტიპებს წარმოადგენს: ადგილზე, სამკითხველო დარბაზში მკითხველთა მომსახურება, მკითხველთა აბონენტური წესით მომსახურება.

5. **მკითხველთა სააღრიცხვო სისტემის ოპტიმიზაცია** – 2015 წლიდან ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში ადგილზე, სამკითხველო დარბაზში მომსახურების ახალი სააღრიცხვო სისტემა დაინერგა. სააბონენტო მომსახურების წესის პარალელურად ცალკე მიმდინარეობს დარბაზში მომსახურეობის აღრიცხვა, რაც გულისხმობს როგორც საბიბლიოთეკო, ასევე საარქივო ფონდებზე მომუშავე პირთა დარბაზში აღრიცხვას. შესაბამისად, ბიბლიოთეკაში მოქმედებს მკითხველთა აღრიცხვიანობის როგორც სააბონენტო, ასევე სამკითხველო დარბაზით სარგებლობის სააღრიცხვო სისტემა.

6. **საბიბლიოთეკო საქმისწარმოების კომპიუტერიზაცია** – ბიბლიოთეკაში გრძელდება ფონდების ელექტრონული კატალოგიზაციის პროცესი. 2015 წელს კატალოგში შევიდა 2000-ზე მეტი ერთეულის მონაცემი. სამუშაოები მიმდინარეობს ყოველდღიურად და დაგეგმილია ფონდების სრული კომპიუტერიზაცია.

ინსტიტუტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ერთეულია ისტორიული და ეთნოლოგიური საარქივო ფონდი, რომელიც უნიკალურია თავისი მასალით. 2015 წელს ინსტიტუტის საარქივო ფონდში სამუშაოები მიმდინარეობდა სხვადასხვა მიმართულებით:

1) ფონდებისა და კოლექციების კლასიფიკაცია, კლასიფიცირებული მასალის დალაგება საფონდო საქმისწარმოების პრინციპით, საფონდო ერთეულების ტექნიკური დამუშავება. დამუშავდა: გრიგოლ გიორგაძის პირადი საარქივო ფონდი

(სულ 77 საქმე). მიმდინარეობს: ექსპედიციების ფონდის მასალების აღწერილობა (აღწერილია 240 ერთეული ფოტო); ანზორ ქალდანის პირად საარქივო ფონდში დაცული ფოტომასალის კლასიფიკაცია და აღწერა (აღწერილია 120 ერთეული).

2) ა(ა)იპ „ნაციონალიზმის და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტს," პროექტის – „პროფესიული ურთიერთობებისა და ნდობის აღდგენა მეცნიერების საშუალებით," ფარგლებში, ციფრული ვერსიის დამზადების მიზნით, გადავეცით ინსტიტუტის არქივში დაცული (XX საუკუნის) აფხაზეთთან, ე.წ. სამხრეთ ოსეთთან და ჩრდილოეთ ოსეთთან დაკავშირებული ისტორიულ–ეთნოგრაფიული მასალები (სულ 4733 ერთეული).

3) მიმდინარე წელს გაგრძელდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სამეცნიერო ორგანიზაციათა პროფესიული კავშირის მიერ ამოქმედებული – სამეცნიერო ორგანიზაციების საქმიანობის ხელშეწყობისა და დახმარების, ასევე, სტუდენტთა დახელოვნების, დასაქმების, პროფესიული განვითარებისა და კვალიფიცირების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სტაჟიორებმა დაამუშავეს საარქივო მასალები.

პროექტის ფარგლებში საარქივო განყოფილების თანამშრომლების დახმარებით, სტაჟიორებმა დაამუშავეს ტექსტური, გრაფიკული და ფოტომასალები.

4) საარქივო მასალების კომპიუტერიზაცია, ელექტრონული კატალოგებისა და ბაზების შექმნა.

შეიქმნა საარქივო განყოფილებაში დამუშავებული ყველა მასალის ელექტრონული კატალოგი.

ფუნქციონირებს ინსტიტუტის ვებ-გვერდი: **www.institutehist.ucoz.net**, რომელიც მუდმივად ახლდება ინფორმაციით.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი

ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი, პროფ. მიხეილ ნიორაძე

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა

მიხეილ ნიორაძე, ბადრი ჭილაძე, ზარა ბაღდასარიანი, ნოდარ ლომიძე, დავით მჭედლიშვილი, მირიან ტაბიძე, ჯემალ ხუბუა, არჩილ დურგლიშვილი, ლიანა აბესალაშვილი, ლალი ახობაძე, ლიდა ჩხაიძე, ლალი ხარხელაური, თამარ ჯობავა, აკაკი ლიპარტელიანი, გელა დევიძე, იგორ ტრეკოვი, თეიმურაზ ნადარეიშვილი, თამარ ბაბუციძე, ანზორ ხელაშვილი, თეიმურაზ კოპალეიშვილი, ალექსანდრე სიდელნიკოვი, ციალა იოსელიანი, ჯენი გეგია, იური თევზაძე, ნიკა წვერავა, ნუგზარ მოსულიშვილი.

I. 1. <u>საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით</u> 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	სპინის ფიზიკა(თეორია). თვითშეუღლების გაფართოების პროცედურის კვლევა არარელატივისტურ და ერთ და ორნაწილაკოვან რელატივისტურ განტოლებებში. ფიზიკა. თეორიული ფიზიკა.	ანზორ ხელაშვილი	ანზორ ხელაშვილი, თეიმურაზ ნადარეიშვილი
2	ტოპ კვარკის ფიზიკა. პროტონ-პროტონული ურთიერთქმედებების შესწავლა 7 ტევ და 8 ტევ ენერგიებზე ATLAS ექსპერიმენტში	თ. ჯობავა	ჯ.ხუბუა მ.მოსიძე ა.დურგლიშვილი ნ.მოსულიშვილი

3	ფიზიკა სტანდარტულ მოდელს მიღმა. არომატის შემცვლელი ნეიტრალური დენები – მძიმე კვარკების იშვიათი დაშლების თეორიული კვლევა.	გ.დევიძე	გ.დევიძე, ა.ლიპარტელიანი

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

1) 2015 წელს მიღებულია შემდეგი შედეგები:

1. ცნობილია ალტ-გრასბერგერ-სანდჰას-ხელაშვილის (აგსხ) ოპერატორებისათვის ინტეგრალური განტოლებების ისეთი ფორმულირება, როდესაც ისინი აკმაყოფილებენ 3-განზომილებიან განტოლებებს (ნაცვლად 6-განზომილებიანისა) და ეფექტური პოტენციალები შეიძლება ნაპოვნი იქნას ფადდეევის მსგავსი განტოლებებიდან. ამ ფორმულირებაში დაუშვებელია სხვადასხვა მიახლოებითი მეთოდი და მას აქვს მრავალი უპირატესობა ზოგიერთი პრობლემის შესწავლისას. ჩვენ ვიყენებთ გრინის ფუნქციების სპექტრალურ წარმოდგენას და ვაჩვენებთ, რომ ყველა პოზიტიური თვისება აგსხ განტოლებებისა ძალაში რჩება და ამავდროულად ეფექტური პოტენციალები მარტივდება.

2. შესწავლილია ლაპლასის ოპერატორის სინგულარული ყოფაქცევა სფერულ კოორდინატებში. ნაჩვენებია, რომ სრული შრედინგერის განტოლებიდან დაყვანილ რადიალურ განტოლებაზე გადასვლის წარმოიქმნება დელტა ფუნქციის მაგვარი დამატებითი წევრი. გამოკვლეულია თუ რა პირობებში შეიძლება ‘‘მოვიშოროთ’’ ეს წევრი. შესწავლილია ლაპლასის ოპერატორის სინგულარული ყოფაქცევა სფერულ კოორდინატებში. ნაჩვენებია, რომ სრული შრედინგერის განტოლებიდან დაყვანილ რადიალურ განტოლებაზე გადასვლის წარმოიქმნება დელტა ფუნქციის მაგვარი დამატებითი წევრი. გამოკვლეულია თუ რაპირობებში შეიძლება ‘‘მოვიშოროთ’’ ეს წევრი. კერძოდ დადგინდა, რომ ამ წევრის მოსაშორებლად აუცილებელი და საკმარისი პირობაა ის, რომ რადიალური ტალღური ფუნქცია საკმარისად სწრაფად ეცემოდეს სათავეში. კონკრეტულ მაგალითებზე განხილულია ამ დაკვირვებიდან გამომდინარე რამდენიმე ფიზიკური შედეგი.

3. უსპინო ნაწილაკების რელატივისტურ კლაინ-გორდონის განტოლებაში კულონური პოტენციალისთვის წარმოიქმნება ზედმეტი (სინგულარული) ამოხსნები, რომლებიც კვანტური მექანიკის აპარატის ყველა მოთხოვნას (ნორმირებადობა, ორთოგონალურობა, ნორმის დროზე დამოუკიდებლობა და ა.შ.) აკმაყოფილებენ. ასეთი ამოხსნის (ჰიდრინო, მცირე წყალბადი) დაკვირვება მნიშვნელოვანი იქნებოდა სხვადასხვა ახალი ფიზიკური მოვლენის დამზერისათვის.

იგივე ამოცანაში ½ -სპინიანი ნაწილაკისთვის (ელექტრონი) დირაკის განტოლების ფარგლებში ნაჩვენებია, რომ სათავეში სინგულარული ასიმპტოტიკის მქონე ამონახსნი მართლაც არსებობს, ოღონდ სინგულარობის ხარისხი უფრო მაღალია, ვიდრე უსპინო შემთხვევაში. ამის გამო ადგილი აღარ აქვს ალბათობის (ნორმის) დროზე დამოუკიდებლობას, აგრეთვე არ სრულდება ორთოგონალურობის პირობა, თუმცა სრული ალბათობა სასრულოა მოდელის პარამეტრების გარკვეულ არეში.

ამის გამო, დასკვნის სახით ვთვლით, რომ დირაკის განტოლებაში დამატებითი ამოხსნა უნდა უგულვებელვყოთ და დავკმაყოფილდეთ ნორმალური (სტანდარტული) ამონახსნით.

2)

2.1 . ტაილ-კალორიმეტრის, როგორც ATLAS დანადგარის ერთ-ერთი ქვედეტექტორის, ყოფაქცევისა და სტაბილურობის ანალიზი დეტექტორის კონტროლის სისტემის მონაცემების გამოყენებით.

ტაილ ადრონულ კალორიმეტრზე არსებული დეტექტორის კონტროლის სისტემა საშუალებას გვაძლევს მუდმივი კონტროლის ქვეშ გვყავდეს დანადგარის 20000-ზე მეტი მნიშვნელოვანი პარამეტრი. ასეთების რიცხვში შედიან ფოტოელექტრონული გამამრავლებების (ფეგ)

მახასიათებლები, დაბალი და მაღალი კვების ძაბვების სტაბილურობა, გაციების სისტემის პარამეტრები (ტემპერატურები დეტექტორის სხვადასხა წერტილებში). განხორციელდა ფოტოელექტრული გამამრავლებების მაღალი ძაბვების კონტროლი და მათი რეგულირება დეტექტორის კალიბრული პარამეტრების სტაბილურობის შესანარჩუნებლად დაბალი ძაბვების წყაროების მახასიათებლების კონტროლის და მათი გაუმჯობესების სამუშაოები იქნა ჩატარებული. შეცვლილი იქნა ტაილ კალორიმეტრზე არსებული, ძველი სისტემა დაბალი ძაბვების კვების წყაროებისა (LVPS v.6) ახალი, გაუმჯობესებული ვარიანტით (LVPS v.7). ამან გაცილებით გაზარდა დეტექტორის სტაბილური მუშაობა და ამასთან მნიშვნელოვნად შემცირდა დანადგარის ელექტრონული ხმაურის სიდიდე. განხორციელდა გაციების სისტემის პარამეტრების კონტროლი. აქ ძირითადად მიმდინარეობს დეტექტორის გაციების საერთო სისტემის პარამეტრებისა და უშუალოდ დეტექტორის ელექტრონიკის სხვადასხვა წერტილებში ტემპერატურის მონიტორინგი. გაცივების სიტემის 12-ზე მეტ პარამეტრს აკონტროლებს დეტექტორის კონტროლის სიტემა (DCS). დაყალიბრებულ იქნა ზოგიერთი ტემპერატურული სენსორი და ზოგიერთი მათგანი აწყობილ იქნა რათა გადაყვანილ ყოფილიყოსწორ (შესწორებულ) მდგომარეობაში. დაფიქსირებულ იქნა 60 ტემპერატურული სენსორი. შეცვლილ იქნა ერთ-ერთი ფილტრი. შემდგომ გაცივების მთავარი სისტემა მუშაობდა სტაბილურად.

2.2 ჩატარებულ იქნა ATLAS ექსპერიმენტის ტაილ კალორიმეტრის მონაცემთა ხარისხის (ვარგისიანობის) შესწავლა-ანალიზი ცერნში ხარისხის მონიტორინგის სეანსების 7.05.2015 ÷ 4.06.2015 განმავლობაში. დიდი ადრონული კოლაიდერის და სათანადოდ ATLAS დანადგარის ხელმეორედ გაშვება ორწლიანი მოდერნიზაციის სამუშაოების ჩატარების შემდეგ განხორციელდა 2015 წლის 2 ივნისს როცა მიღებულ იქნა 6.5 ტევ ენერგიამდე აჩქარებული პროტონების ნაკადები და მოხდა მათი დაჯახება. მანამდე დანადგარის კოსმოსური სხივები ეცემოდა. მონაცემების ჩაწერა ხდება გარკვეული დროის ინტერვალებში, რომლებსაც ეწოდება "run" ები ანუ მონაცემთა ნაკრებები (ანსამბლი), შემდეგ ხდება ამ პირველადი ჩაწერილი მონაცემების ანალიზი და შეფასება, მათი შემდგომი დამუშავებისათვის და ანალიზისათვის ვარგისიანობის დადგენა. ზემოთმოყვანილი პერიოდის განმავლობაში განალიზებულ იქნა კოსმოსური სხივების დაცემის შედეგად დაგროვილი მომაცემთა 94 ნაკრები და 13 ტევ ენერგიაზე პროტონ-პროტონული ურთიერთქმედებების შედეგად მიღებული მონაცემების 3 ნაკრები. გამოვლენილ იქნა ტაილ კალორიმეტრში ზოგიერთ მოდულში (კერძოდ LBC02) ცალკეული ფოტოგამამრავლებლების გაუმართავი მუშაობა (კერძოდ LBC02 მოდულში 42-ე ფეგ-ი), მოხდა მათი მასკირება- ანუ მათ მიერ მოხსნილი სიგნალები დამუშავების პროცესში არ იქნა გათვალისწინებული. ეს გარემოება მთლიანობაში არ ამახინჯებდა ჩაწერილ ინფორმაციას. გაანალიზებულ იქნა აგერთვე ტაილ კალორიმეტრის ლაზერით, ფიქსირებული მუხტით დასხივების შედეგად მიღებული შედეგები (მონაცმეთა 56 ნაკრები) და აგრეთვე ე.წ. "პედესტალის" ყალიბრული შემოწმება რომლის მიზანია ტაილ კალორიმეტრის ელექტრონიკის ხმაურის შესწავლა. დასხივების სეანსების მიზანია შემოწმდეს ტაილ კალორიმეტრის მოდულების შეცვლილი ელექტრონიკის მუშაობა და მისი ვარგისიანობა კოლაიდერის და ATLAS დანადგარის გაშვების შემდეგ მაღალ ენერგიაზე – მასათა ცენტრის სისტემაში $\sqrt{s}$=13 ტევზე.

2.3 არომატის შემცვლელი ნეიტრალური დენებით მიმდინარე ტოპ კვარკის იშვიათი დაშლა $t \to qZ$ იქნა შესაწავლილი ექსპერიმენტული მონაცემების ანალიზის შედეგად, რომელიც მიღებული (დაგროვილი) იყო ATLAS ექსპერიმენტში 2012 წლის განმავლობაში მასათა ცენტრის სისტემაში $\sqrt{s}$= 8 ტევ ენერგიისათვის და შეესაბამება 20.3 ფბ$^{-1}$ ინტეგრალურ ნათებას. განხილულ იქნა ტოპ-ანტიტოპ კვარკების ($t\bar{t}$) წყვილური დაბადების ტოპოლოგია, როდესაც ყალიბრული Z ბოზონები იშლებიან ლეპტონებად, ხოლო W ბოზონები იშლება კვარკებად (u,d,s,b კვარკების ადრონიზაციის შედეგად ვიღებთ ადრონულ ჭავლებს ("jets")). ანუ განხილულ იქნა $t \to qZ$ დაშლის ადრონული მოდა. რეალური ლეპტონების შემცველი ფონური პროცესები შეფასებულ იქნა გენერაცია-სიმულაციის შედეგად მიღებული მონაცემების გამოყენებით. ისეთი ფონური პროცესების მცირე წვლილი რომლებიც შეიცავენ შემთხვევებს ე.წ. "ცრუ" ლეპტონებით, შეფასებულ იქნა ე.წ. მატრიცული მეთოდის გამოყენებით. ტოპ კვარკის იშვიათი დაშლა $t \to qZ$ დამზერილი არ იქნა და დადებულ იქნა $t \to qZ$ დაშლის ფარდობით ალბათობაზე დამზერის (მოსალოდნელი) ზედა ზღვარი 95% საიმედოობის (ნდობის) დონეზე: $Br(t \to qZ) = 2.9\text{x}10^{-3}$ ($2.7\text{x}10^{-3}$).

3) თეორიულად გამოვიკვლიეთ არომატის შემცვლელი ნეიტრალური დენებით ინსპირირებული მძიმე კვარკების იშვიათი დაშლები დამატებით განზომილებიან მოდელებში. როგორც გვიჩვენებს შესრულებული ანალიზი, ფარდობითი ალბათობების განსხვავება სტანდარტული მოდელის ფარგლებში მიღებულ შეფასებებთან შედარებით მცირეა (დამოკიდებულია კომპაქტიფიკაციის რადიუსზე) და შეიძლება შეადგენდეს რამოდენიმე პროცენტს.

I. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	მრავალნაწილაკოვანი კორელაციების შესწავლა ბირთვ-ბირთვულ დაჯახებებში. საბუნებისმეტყველო მეცნიერება, ფიზიკა	ფიზ. მათ. მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იური თევზაძე	ლ. აბესალაშვილი, ლ. ახობაძე, ლ. ჩხაიძე, ლ. ხარხელაური, თ. ჯობავა, გ. ჩლაჩიძე
2	ρ–ω შერევის შესწავლა კონსტიტუენტური კვარკული მოდელის ფარგლებში	თ.ბაბუციძე	თ.ბაბუციძე, თ.კოპალეიშვილი
3	ფიზიკა სტანდარტულ მოდელს მიღმა. არომატის შემცვლელი ნეიტრალური დენები – ლეპტონების იშვიათი დაშლების თეორიული კვლევა	გ.დევიძე	გ.დევიძე, ა.ლიპარტელიანი
4	ინსტიტუტის კომპიუტერული ქსელი	ბ. ჭილაძე	ა.სიდელნიკოვი, ც.იოსელიანი, ჯ.გეგია

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

1)

I. ბირთვ-ბირთვულ დაჯახებებში ინტენსიურად შეისწავლება შეკუმშული ბირთვული მატერიის განივი გამოდინება რეაქციის სიბრტყეში (directed flow) და მისი გადმოდინება რეაქციის სიბრტყიდან (elliptic flow). ბირთვული მატერიის კოლექტიური ბუნების გამოკვლევა შესაძლებელია როგორც მეორადი ნაწილაკების კოლექტიური გამოდინებით, ასევე ერთი და იმავე ტიპის მეორად ნაწილაკებს შორის მრავალნაწილაკოვანი აზიმუტალური კორელაციების (**მაკ**) შესწავლით, რომელიც იძლევა ინფორმაციას ურთიერთქმედების პროცესის განვითარებაზე დროსა და სივრცეში. გაყოფა შესაძლებელია როგორც სისწრაფისა და გამოფრენის კუთხის მიხედვით წინ და უკან წასულ ნაწილაკებად, ასევე ენერგიის გარკვეული მნიშვნელობებით ნელ და სწრაფ ნაწილაკებად.

შესწავლილ იქნა მრავალნაწილაკოვანი აზიმუტალური კორელაციები ექსპერიმენტულად ბირთვ-ბირთვულ და ადრონ-ბირთვულ დაჯახებებში ერთი და იმავე ტიპის მეორადი ნაწილაკებისთვის (პროტონები, პიონები) p-C (4.2 და 10 გევ/c/ნუკლ), He-(Li,C) (4.5 გევ/c/ნუკლ), p-Ta (10 გევ/c/ნუკლ). აღნიშნული ექსპერიმენტული მასალა მიღებულია ქ. დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტის (JINR) მაღალი ენერგიების ლაბორატორიაში ფილმური დეტექტორის (მაგნიტური სპექტრომეტრები **SKM-200-GIBS** და პროპანის ორმეტრიანი ბუშტოვანი კამერა **PBC-500**) საშუალებით.

მრავალნაწილაკოვანი აზიმუტალური კორელაციების შესწავლის ერთ-ერთი საინტერესო მეთოდია C(Δφ) კორელაციის ფუნქციის დამოკიდებულების დადგენა ურთიერთქმედების არის სისწრაფის ფიქსირებული მნიშვნელობით დაყოფილ ორ ნახევარსფეროში გამოდინებული ნაწილაკების განივი იმპულსების ჯამურ ვექტორებს შორის Δφ–კუთხისაგან. ე.წ. „წინა“ (y_i < <y>) და „უკანა“ (y_i ≥ <y>) ნახევარსფეროებში გამოსხივებული ერთიდაიმავე ტიპის ნაწილაკებისათვის განისაზღვრება განივი იმპულსების ჯამური ვექტორები $\mathbf{Q}_B = \sum_{y_i < <y>} \mathbf{P}_{\perp I}$ და $\mathbf{Q}_F = \sum_{y_i \geq <y>} \mathbf{P}_{\perp i}$, სადაც y_i არის i-ური ნაწილაკის სისწრაფე, ხოლო <y> არის საშუალო სისწრაფე. კორელაციის ფუნქცია აგებულია შემდეგნაირად C(Δφ) = dN/d(Δφ), სადაც Δφ არის ამ ორ ვექტორს შორის კუთხე $\Delta\varphi = \arccos(\mathbf{Q}_B \cdot \mathbf{Q}_F)/(|\mathbf{Q}_B| \cdot |\mathbf{Q}_F|)$. მიღებული შედეგის რაოდენობრივი შეფასების მიზნით მონაცემები აღიწერება C(Δφ) = 1+ξcos(Δφ) ფუნქციით, სადაც ξ ასიმეტრიის კოეფიციენტია. ς კორელაციის პარამეტრი კი განისაზღვრებაშემდეგნაირად ς=(C(0°)/ C(180°))=(1+ξ)/(1-ξ).

C(Δφ) კორელაციის ფუნქციის Δφ–კუთხისაგან დამოკიდებულების შესწავლისას p-C (4.2 და 10 გევ/c/ნუკლ), He-(Li, C) (4.5 გევ/c/ნუკლ) და p-Ta (10 გევ/c/ნუკლ) დროს ერთი და იმავე ტიპის ნაწილაკებს შორის (პროტონები, პიონები), დადგენილ იქნა: პროტონებისათვის აღნიშნულ დაჯახებებში დამზერილ იქნა **უარყოფითი კორელაცია (back- to-back) -** C(Δφ) იზრდება Δφ-ერთად და მაქსიმალურია 180^0-ზე; პიონებისათვის ყველა ბირთვულ წყვილებში დამზერილ იქნა **უარყოფითი კორელაცია** (**back-to-back**) - C(Δφ)იზრდება Δφ-ერთად და მაქსიმალურია 180^0-ზე;

შესწავლილ იქნა **C(Δφ)** ფუნქციის დამოკიდებულება **Δφ**-კუთხისაგან (კუთხე წინა (უკანა) ნახევარსფეროში გამოსხივებული თითოეული ნაწილაკის განივი იმპულსის ვექტორსა და $\mathbf{Q}_F$ ($\mathbf{Q}_B$) ვექტორს შორის. მიღებულ იქნა იზოტროპიული განაწილებები, რაც დამზერილი აზიმუტალური კორელაციების დინამიური წარმოშობის მაჩვენებელია; ასევე გამოკვლეულ იქნა |ξ|-ასიმეტრიის კოეფიციენტის დამოკიდებულება $\mathbf{A}_P$-$\mathbf{A}_T$-დამცემი-სამიზნე ბირთვების მასური რიცხვებისაგან და ენერგიისაგან: პროტონებისათვის დამზერილია |ξ|-ის შემცირება $\mathbf{A}_T$–ს და ენერგიის ზრდისას; პიონებისათვის უფრო გამოიკვეთა ბირთვული გარემოს როლი **(He-(Li, C)).** ძოგადად, დაიმზირა |ξ|-ის შემცირება ენერგიის ზრდისას.

სამუშაო არ არის დასრულებული, მიმდინარეობს მიღებული ექსპერიმენტული შედეგე-ბის ანალიზი, დაგეგმილია კვარკ გლუონური სიმური მოდელის (**QGSM)** და ულტრარელატი-ვისტური კვანტურ მოლეკულური დინამიკური მოდელის (**UrQMDM)** გენერატორებით შესაბა-მისი ურთიერთქმედებების მოდელირება მიღებული ექსპერიმენტული შედეგების აღსაწერად.

სამუშაო ჯერ არ არის დასრულებული, მზადდება პუბლიკაცია:
“Study of Azimuthal Correlations Between Groups of Protons or Pions in p(C, Ta) and He(Li, C) Collisions at Momenta of (4.2, 4.5 and 10) AGeV/c per nucleon”

II. დაწყებულია $\mathbf{A}_i\mathbf{A}_t$-ბირთვ-ბირთვულ ურთიერთქმედებებში ხისტ და რბილ

დაჯახებებში წარმოქმნილი პროტონების და მეზონების საშუალო კინემატიკური მახასიათებლების შედარებითი ანალიზი. ვიკვლევთ როგორია ხისტი პროცესების (კუმულატიური პროტონების) გავლენა თანმხლები ნაწილაკების მახასიათებლების ჩამოყალიბებაში. ექსპერიმენტულ შედეგებს შევადარებთ **QGSM**-კვარკ-გლუონური სიმური მოდელის შედეგებთან.

ექსპერიმენტი ჩატარდა ქ.დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტის ამაჩქარებელზე, **PBC-500** პროპანის ორმეტრიანი ბუშტოვანი კამერის დასხივების საშუალებით.

სამუშაო არ არის დასრულებული, მზადდება პუბლიკაცია: „**Анализ Характеристик Частиц Образованных в Жёстких и Мягких Процессах из Ядро-Ядерных Соударении при Релятивистких Энергиях „.**

2) რელატივისტურ კვარკულ მოდელებში ρ და ω ვექტორული მეზონები u და d არომატის კვარკების და ანტიკვარკების სისტემების ბმული მდგომარეობებია იზოსპინებით I=1 და I= 0, შესაბამისად. კვარკების მასების ტოლობისას ამ მეზონების მასებიც ტოლი მიიღება , რადგან ძლიერი ურთირთქმედება არაა დამოკიდებული იზოსპინის მნიშვნელობაზე . რეალურად კი ამ მეზონების მასები მცირედ, მაგრამ განსხვავებულია

$M_\rho = 775.26 \pm 0.25$ მევი, $M_\omega = 782.65 \pm 0.12$ მევი. (PDG.2014) .

ამ ფაქტის ერთ-ერთი ახსნა მდგომარეობს იმაში, რომ დენის კვარკების მასები განსხვა-ვებულია: PDG 2014 წლის მონაცემებით მათი მნიშვნელობებია $m_{u_0} = 2.3 \pm \binom{0.7}{0.5}$ მევი და $m_{d_0} = 4.8 \pm \binom{0.5}{0.3}$ მევი. ეს იწვევს მუხტური სიმეტრიის დარღვევას ძლიერ ურთიერთ ქმედებაში. შედეგად ρ და ω მეზონები არ წარმოადგენენ იზოსპინის საკუთარ მნიშვნელობებს და ფიზიკური რო მეზონი შეიძლება შეიცავდეს I=0 მდგომარეობის მინარევს და პირიქით. ამას ρ–ω შერევას უწოდებენ.

დენის კვარკების მასების განსხვავებიდან გამომდინარე შესაძლებელია დაშვება, რომ რელატივისტურ კვარკულ მოდელებშიც უ და დ კონსტიტუენტური კვარკების მასებიც განსხვავებულია. ამ დაშვებით ვიხილავთ რო-ომეგა შერევას სოლპიტერის განტოლების ფარგლებში.

შერევის გათვალისწინებით მეზონების ტალღურ ფუნქციებს სქემატურად ასე ჩაწერენ (H.B.O'Connel et.all. Rho-omega mixing, vector mesom dominance and the pion form-factor.Progr.Nucl. Part.Phys.39(1997)201):

ρ მეზონისათვის $|\rho^0\rangle = |\rho_I^0\rangle - \varepsilon|\omega_I\rangle$ და ω მეზონისათვის $|\omega\rangle = |\omega_I\rangle + \varepsilon|\rho_I^0\rangle$.

აქ ε არის შერევის კოეფიციენ ტი, მცირე კომპლექსური რიცხვი. ინდექსი „I" მიუთითებს, რომ აღნიშნული მდგომარეობის შესაბამისი ტალღური ფუნქციის სივრცულ და იზოსპინურ ნაწილს აქვს სტრუქტურა

$$\left|\begin{bmatrix}\rho_I^0\\ \omega_I\end{bmatrix}\right\rangle_I = \frac{1}{\sqrt{2}}\left[\varphi_{M_{u\bar{u}}}(\vec{p})\left|u\bar{u}\right\rangle \mathrm{m} \varphi_{M_{d\bar{d}}}(\vec{p})\left|d\bar{d}\right\rangle\right].$$

ცნობილია $q\bar{q}$ ბმული სისტემების, მეზონების, აღწერის წარმატებები რელატივის ტუ რი კვარკული მოდელების ფარგლებში სოლპიტერის განტოლების გამოყენებით. ასეთ მოდელებში კონსტიტუენტური u და d კვარკების მასები ტოლებია და მოდელის პარამეტრებია 250 -380 მევის ფარგლებში. $q\bar{q}$ ბმული სისტემების შესწავლისას კვარკების განსხვავებული მასებით სოლპიტე რის განტოლებაში ვითვალისწინებ დით კონფაინმენ ტის პოტენციალს ოსცილატორუ ლი სახით. მისი პარა მეტრების დასადგენად ვიყენებდით ჩვენს მიერ და სხვა ავტო რების მიერ მეზონების სპექტრის აღწერის კარგი შედეგების შესაბამის პარამეტრს r_0 -ს

პირობიდან $V_c(r_0)=0$ დაესაა არე არე $0.75\text{fm}\le r_0\le 1.\text{fm}$. პოტენციალის სპინური სტრუქტურა ავიღეთ $\left(x\gamma_1^0\gamma_2^0+(1\text{-}x)I_1I_2\right)$ სახით, x წონით 4-ვექტო რის მეოთხე კომპო ნენტების ნამრავლის და წონით სკალარის სახით. ჩვენი მიზანი იყო ფიზიკური ρ^0 და ω მეზონების ცნობილი მასების საშუალებით გამოგვეკვლია კონსტიტუ ენტური კვარკების მასების როგორი მნიშვნელობები, მათ შორის როგორი სხვაობა მოგვცე მდა აზრიან მასას $\rho^{\pm}$ მეზონებისათვის და როგორი იქნებოდა ε შერევის კოეფიციენტის რეალური ნაწილისმნიშვნელობა.
შერევის გარეშე, მხოლოდ კვარკების მასების განსხვავებით, ჩვენ მივიღეთ მასებისათვის

$$M_{\rho_I}=M_{\omega_I}=\frac{1}{2}\left[M_{u\bar{u}}+M_{d\bar{d}}\right],$$

ცხადია აქ მასები ტოლია, ე.ი. განსხვავებული მასების მქონე u და d კვარკებით შედგენილი სისტემების მასების საშუალო. შერევის გათვალისწინებით კი

$$M_{\substack{\rho\\ \omega}}=M_{\substack{\rho_I\\ \omega_I}}\ m\varepsilon_{re}\Delta_{ud},\quad \text{სადაც } \Delta_{ud}=\left[M_{u\bar{u}}-M_{d\bar{d}}\right].$$

დათვლების დროს ვიღებდით d კვარკის მასისათვის 320 მევს და 380 მევს და u კვარკის მასას ვცვლიდით და შემდეგ ვარჩევდით მათ სხვაობას მოთხოვნით, რომ მიგვეღო $M_{\rho^{\pm}}$=775 მევი. ასეთი შედეგი მივიღეთ კვარკების მასების სხვაობისას 70 - 130 მევი. შედეგები მოყვანილია ცხრილში x და r_0 პარამეტრების მითითებით.

m_d	$m_{\bar{u}}$	$M_{\rho^{\pm}}$	$-\varepsilon_{re}$	x	r_0
320.	220	775	0.0160	0.3	0.9
320	250	775	0.0240	0.4	0.8
380	250	775	0.0118	0.3	0.8
380	300	775.	0.0220	0.4	0.75
380	280	775	0.0192	0.4	1.

მეზონების სხვა მახასიათებლების(მაგ. ვექტორული მეზონების ლეპტონური დაშლების) დათვლით, შესაძლებელი იქნება უფრო ზუსტი შეფასებების გაკეთება კონსტიტუენტური კვარკებს მასების შესახებ.

3) თეორიულად გამოვიკვლიეთ არომატის შემცვლელი ნეიტრალური დენებით ინსპირირებული ლეპტონების იშვიათი დაშლები დამატებით განზომილებიან მოდელებში. როგორც გვიჩვენებს შესრულებული ანალიზი, არ ხდება ფარდობითი ალბათობების გაზრდა სტანდარტული მოდელის (დამატებული მარჯვენა ნეიტრინო(ები)) ფარგლებში მიღებულ შეფასებებთან შედარებით, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მინი შავი ხვრელების წვლილს არომატის ცვლილებაში ლეპტონებისათვის, ვღებულობთ იშვიათი პროცესების ალბათობების მნიშვნელოვან ზრდას.

4) 2015 წელს ინსტიტუტში ჩატარდა ინსტიტუტის დაარსებიდან 35 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია. სპეციალურად ამ კონფერენციისათვის ინფორმაციული ჯგუფის მიერ მომზადდა ვებ გვერდი (hepi-35.tsu.ge) რომლის საშუალებით ხდებოდა მონაწილეთა რეგისტრაცია, თანხმდებოდა მოხსენებების სათაურები, ხანგრძლივობა და სხვა.
წლის განმავლობაში ხორციელდებოდა ინტერნეტით უზრუნველყოფის და უკაბელო ინტერნეტის მომსახურების სამუშაოები. საჭიროების შემთხვევაში ოპერაციული სისტემების და ანტივირუსული პროგრამების განახლება ან ხელახალი ინსტალაცია. დაზიანებული პერსონალური კომპიუტერების შეკეთება არსებული მარაგ ნაწილების

საშუალებით. მზადდება ინსტიტუტის ახალი ვებ გვერდი, რომელშიც ინფორმაციის შეყვანა გაცილებით გაადვილებულია და ამიტომ ვებ გვერდის შემცველი ინფორმაციის განახლება და ახლის დამატება მეტად მოხერხებული იქნება.

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	დასახელება: „ელექტრული დიპოლური მომენტის (ედმ) კვლევები იულიხში“ მიმართულება: „ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკა“	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ანდრო კაჭარავა ფიზ.-მათ. მეცნიერებათა დოქტორი, COSY/ANKE ექსპერიმენტის სპიკერი თანახელმძღვანელი: ნოდარ ლომიძე, ფიზ.-მათ. მეცნიერებათა დოქტორი	მ.ნიორაძე გ.მაჭარაშვილი მ.ტაბიძე დ.ჭილაძე დ.მჭედლიშვილი ზ.ბაღდასარიანი
2	”კვანტური ქრომოდინამიკა მაღალ და დაბალ ენერგიებზე”. ფუნდამენტალური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი № 11/24	სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ანზორ ხელაშვილი	ანზორ ხელაშვილი, თეიმურაზ ნადარეიშვილი, ზაქარია მერებაშვილი
3	ახალი ფიზიკის ეფექტების შესწავლა აშნდ-თი ინსპირირებულ პროცესებში LHC ATLAS ექსპერიმენტში	სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (გრანტი 13/44)	აკაკი ლიპარტელიანი	ჯემალ ხუბუა გელა დევიძე თამარ ჯობავა მაია მოსიძე ირინა ხუციშვილი არჩილ ღურგლიშვილი
დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები				

(ქართულ ენაზე)

1) პროექტი მიზნად ისახავდა დამუხტული ნაწილაკებისა და მსუბუქი ბირთვების ელექტრული დიპოლური მომენტის COSY ამაჩქარებელზე ძიების შესაძლებლობის შესწავლას. დაფინანსების 3 წლის განმავლობაში მიღებული იქნა შემდეგი პრაქტიკული მნიშვნელობის შედეგები:

1. შემუშავებულია ძირითადის წინმსწრები ექსპერიმენტის კონცეფცია და წარდგენილია COSY პროგრამების მრჩეველთა საბჭოზე,
2. ჩატარებულია ექსპერიმენტი EDDA და ANKE სპექტრომეტრების პოლარიმეტრიის გამოყენებით. შემუშავებულია სპინ-ტრეკინგის პროგრამა და შემოწმებულია მისი ადექვატურობა იმ შემთხვევისათვის, როდესაც სპინური მოძრაობის შეშფოთება ხდება რადიოსიხშირული სოლენოიდით,
3. ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევის შედეგად: შემუშავებულია გაუმჯობესებული ტრიგერის სქემა, მიღებულია განიერი ჰორიზონტალური პროფილის მქონე ნაკადი, შესწავლილია ნაკადის ქრომატულობა,
4. მიმდინარეობდა დეიტრონების ნაკადის პერმანენტული პოლარიმეტრიის სხვადასხვა შესაძლებლობების შესწავლა, განიხილებოდა დეიტრონების ნახშირბადის სამიზნეზე დრეკადი გაბნევის შედეგზე დაყრდნობით მიღებული ნაკადის პოლარიმეტრიის სიზუსტეები, შესწავლილია, აგრეთვე, პოლარიმეტრიის შესაძლო სისტემატური ცდომილებების წყაროები და მათი კორექტული გათვალისწინების გზები,
5. ჩატარებულ ექსპერიმენტში მიღწეულია სპინური რეგულატორის გაზომვის სიზუსტე 10^{-10}, რაც შეესაბამება დეიტრონის ედმ-ის სტატისტიკურ ცდომილებას $\sigma_d = 5 \cdot 10^{-23}$,

შემუშავებული იქნა სპინური რეგულატორის ექსპერიმენტული განსაზღვრის ახალი მეთოდი დამაგროვებელი რგოლისათვის. ექსპერიმენტი ჩატარებული იქნა 970 MeV/C იმპულსის მქონე დეიტრონების ნაკადის გამოყენებით. 2.6 წმ ინტერვალში სპინური რაგულატორის გაზომვის სიზუსტემ შეადგინა $(1\text{-}3)10^{-8}$, ხოლო 100 წმ ინტერვალში $-1\cdot 10^{-10}$, რაც შეესაბამება დეიტრონის ედმ-ის გაზომვის სტატისტიკურ ცდომილებას $5\cdot 10^{-29}$ e·cm. მეთოდი წარმოადგენს ახალ პრეცეზიულ ინსტრუმენტს ამაჩქარებლის ფიზიკისათვის. პროექტის განხორციელებისას მიღებული შედეგები გამოქვეყნებულია 2 სამეცნიერო სტატიაში:

1. P. Benati et.al. “Synchrotron oscillation effects on an rf-solenoid spin resonance”, Phys. Rev. ST Accel. Beams 15, 124202 (2012)
2. Z. Bagdasarian et al. “Measuring the polarization of a rapidly precessing deuteron beam”, Phys. Rev. ST Accel. Beams 17, 052803 (2014).

2) სამუშაო დასრულებულია. მიღებულია შედეგები შემდეგ პერიოდში 26.03.2012-25.03.2015:

1.სფერულ კოორდინატებში ლაპლასის ოპერატორში ცვლადების განცალების პროცედურის კორექტულად ჩატარების შედეგად, მივიღეთ დამატებითი დელტასმაგვარი სინგულარობა, რომლის გამორიცხვა ზღუდავს ტალღურ ფუნქციას სათავეში და რამაც საშუალება მოგვცა შეგვესწავლა შრედინგერის რადიალური განტოლების სტატუსი ანუ დაგვედგინა თუ რა პირობებში არის შრედინგერის რადიალური განტოლება შრედინგერის სრული სამგანზომილებიანი განტოლების ეკვივალენტური.

2.სფერულ კოორდინატებში ლაპლასის ოპერატორში ცვლადების განცალების პროცედურის კორექტულად ჩატარების შედეგად, მივიღეთ დამატებითი დელტასმაგვარი სინგულარობა, რომლის გამორიცხვა ზღუდავს ტალღურ ფუნქციას სათავეში და რამაც საშუალება მოგვცა შეგვესწავლა შრედინგერის რადიალური განტოლების სტატუსი ანუ დაგვედგინა თუ რა პირობებში არის შრედინგერის რადიალური განტოლება შრედინგერის სრული სამგანზომილებიანი განტოლების ეკვივალენტური.

3.შრედინგერის განტოლებაში, სათავეში მანძილის კვადრატის უკუპროპორციული

ყოფაქცევის პოტენციალებისათვის ჩავატარეთ თვითშეუღლების ოპერაცია და დავადგინეთ ბმული მდგომარეობების სხვადასხვა ფიზიკური სიდიდეების დამოკიდებულება თვითშეუღლებული გაფართოების პარამეტრზე. მიღებულია ახალი შედეგები სავალენტო ელექტრონის მოდელში. შესწავლილია ახალი ე.წ. ''ჰიდრინო'' მდგომარეობები.

4.დავითვლილია დიფერენციალური კვეთები მძიმე კვარკების წყვილების და ასოცირებული მსუბუქი ნაკადის ფოტოდაბადებისათვის პოლარიზებულ და არაპოლარიზებულ შემთხვევაში. ჩვენი დათვლის მეთოდი წარმოადგენს ისეთი ანალიტიკური და რიცხობრივი ალგორითმების ერთობლიობას, რომელიც საშუალებას იძლევა სხვადასხვა ზღვრული ყოფაქცევის გათვალისწინებისა სრული და დიფერენციალური კვეთებისათვის, შესაბამისი კინემატიკური შეზღუდვების მოდებისა და ექსპერიმენტებზე დაკვირვებადი სხვადასხვა სიდიდეების რიცხობრივი მნიშვნელობების მიღებისა. ამ შრომის შედეგები მნიშვნელოვანია ე.წ. "კომპასის" კოლაბორაციის მუშაობისათვის და შესაძლოა ასევე ახლო მომავალში დიდი ჰადრონულ-ელექტრონული კოლაიდერის ექსპერიმენტისათვის ცერნში.

5.ნუკლონების სკირმულ მოდელში განხილულია კვარკული თავისუფლების ხარისხები და ჩატარებულია ინკლუზიური პროცესების მიხედვით ნუკლონის სპინისთვის ექსპერიმენტულად მიღებული ჯამთა წესის ანალიზი სკირმის წარმოდგენებით. მიღებულია, რომ კირალურად სიმეტრიულ სკირმის მოდელში გვაქვს თანხმობა ჯამთა წესთან.

6.ნაჩვენებია, რომ სათავეში მანძილის კვადრატის უკუპროპორციული მიზიდვის ტიპის პოტენციალებისათვის შრედინგერის განტოლებაში ცენტრზე არ "დაცემის" არეში აუცილებელია ე.წ. დამატებითი ამონახსნების შენარჩუნება პარამეტრების გარკვეულ ინტერვალში და ამიტომ საჭიროა თვითშეუღლებული გაფართოების ოპერაციის ჩატარება გაფანტვის ამოცანებში. ასევე ნაჩვენებია, რომ ფიზიკური სიდიდეები ენერგია, გაფანტვის სიგრძე, ეფექტური გაფანტვის რადიუსი, გაფანტვის განივკვეთი დამოკიდებულია თვითშეუღლების პარამეტრზე და ამიტომ ფიზიკური სურათი განსხვავებულია ჩვეულებრივი კვანტური მექანიკისაგან. კერძოდ, ნაჩვენებია, რომ τ პარამეტრის შემოტანას შეუძლია პოტენციალის ბუნების შეცვლა. ასევე სავალენტო ელექტრონის მოდელში გაფანტვის ამოცანაში მოდიფიცირებულია რეზერფორდის ფორმულა.

7.სინგულარული პოტენციალებისათვის განზოგადებულია ჰიპერვირიალური და ფეინმან –ჰელმანის თეორემები. განხილულია უზოგადესი სახის მეორე რიგის დიფერენციალური განტოლება, რომელიც მოიცავს ფიზიკურად საინტერესო ყველა შემთხვევას და როგორც მაგალითი სინგულარული პოტენციალებისათვის შრედინგერის და ორნაწილაკოვანი კლეინ-გორდონის განტოლებისათვის მიღებულია ახალი თანაფარდობანი. გაანალიზებულია მათი განსხვავებები რეგულარული პოტენციალების შემთხვევისაგან.

8. შესწავლილია ნუკლონის სტრუქტურული ფუნქციები სკირმის მოდელში, რომელშიც ნუკლონი წარმოიდგინება როგორც კირალური სოლიტონი. ვიხილავთ მოდელის წინასწარმეტყველებას გოტფრიდის ჯამთა წესისათვის ელექტრონ-ნუკლონის დაჯახებიდან. დაბალ სკალაზე შედარება გვიჩვენებს, რომ მოდელი ხსნის ემპირიული სტრუქტურული ფუნქციების მთავარ თავისებურებებს. განსაკუთრებით სინათლის კონუსზე აგებული ტალღური ფუნქციებით.

9.სინგულარული ოსცილატორისათვის შრედინგერის განტოლებაში მიღებულია საკუთარი მნიშვნელობების განტოლება და დადგენილია ენერგიის დამოკიდებულება თვითშეუღლების გაფართოების პარამეტრზე. ნაჩვენებია, რომ თვითშეუღლებული გაფართოება არღვევს ოსცილატორული პოტენციალისათვის ჩვეულებრივ კვანტურ მექანიკაში კარგად ცნობილი ენერგეტიკული დონეების ექვიდისტანციურობის თვისებას.ზოგადად შემოტანილია კვანტური დეფექტის ცნება და ერთი ფუნქციის სახით ჩაწერილია ამოცანის ტალღური ფუნქცია.

10.ჩატარებულია თვითშეუღლებული გაფართოების პროცედურა ერთ და

ორნაწილაკოვანი კლეინ-გორდონის განტოლებებში. მიღებულია საკუთარი მნიშვნელობების განტოლება და შესწავლილია ამ განტოლების ანალიზურად ამოხსნადი შემთხვევები. განხილულია ამ შემთხვევებში მიღებული ფორმულების არარელატივისტური ზღვრები. ნაჩვენებია, რომ თვითშეუღლებული გაფართოების პარამეტრის კიდურა წერტილების შესამაბამისი მდგომარეობები ორთოგონალურნი არ არიან და საჭიროა ახალი კვანტური რიცხვის ''peculiarity'' შემოტანა, ხოლო ამ პარამეტრის სხვა მნიშვნელობებისათვის შესაბამისი მდგომარეობები ორთოგონალურია და შეიძლება დაისვას მათ შორის გადასვლების ექსპერიმენტზე პოვნის საკითხი.

11.მიღებულია ანალიზური შედეგები ერთ-მარყუჟიანი ხუთ-წერტილოვან მასურ ზედაპირზე არსებული ამპლიტუდების წარმოსადგენად როგორც შეშფოთების თეორიის მწკრივები $O(\varepsilon^2)$ რიგამდე განზომილებიანი რეგულარიზაციის ε პარამეტრის მიმართ. ეს ერთ-მარყუჟიანი მატრიცული ელემენტები ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას შესაბამისი კვეთების განსასაზღვრავად მძიმე კვარკების ფოტოდაბადებისათვის და ფოტონ-ფოტონური რეაქციებისათვის.

12დამუშავებულია ნუკლონის სტრუქტურული ფუნქციების გამოთვლის ფორმალიზმი ნუკლონის, როგორც კირალური სოლიტონის განხილვის შემთხვევაში. ცნობილია, რომ სტრუქტურული ფუნქციები განიხილება როგორც კვარკებისგან შედგენილი ნუკლონით, ასევე ნუკლონით, რომელიც წარმოადგენს კირალურ სოლიტონს. ეს სურათი განსაკუთრებით გამოკვეთილია ნამბუსა და იონა ლაზინიოს მოდელში, რომელიც წარმოადგენს კვანტური ქრომოდინამიკის ეფექტურ თეორიას. რაც შეეხება T-კენტ განაწილების ფუნქციებს, აქ უფრო საინტერესო სიტუაციაა იჩენს თავს. სახელდობრ, კირალური სიმეტრიის დარღვევის გამო კირალურად კენტი განაწილება ტოლფასი ხდება T-კენტი განაწილებისა დროის არეკვლის მიმართ ინვარიანტობის დარღვევის გარეშე.

13.შეჯამდა სინგულარული პოტენციალების თავისებურებები არარელალატივისტური ბმული და გაფანტვის ამოცანებისათვის.ნაჩვენებია, რომ ფიზიკური სიდიდეები ენერგია, გაფანტვის კვეთა, გაფანტვის სიგრძე და ა.შ. დამოკიდებულია თვითშეუღლებული გაფართოების პარამეტრზე. შესწავლილია თუ როგორ უნდა მივცეთ სწორი ფიზიკური ინტერპრეტაცია მიღებულ შედეგებს. ჩატარებულია თვითშეულებული გაფართოების პროცედურა ერთ და ორნაწილაკოვან კლეინ-გორდონის განტოლებებში სათავეში კულონური ყოფაქცევის სინგულარული პოტენციალების

(2015 წელს მიღებულია ამ ჩამონათვალის ბოლო სამი-11,12,13-ე შედეგი).

3) ამ ეტაპზე მიღებულია შემდეგი შედეგები:

არომატის შემცვლელი ნეიტრალური დენებით მიმდინარე ტოპ კვარკის იშვიათი დაშლა $t \to qZ$ შესწავლილ იქნა ექსპერიმენტული მონაცემების ანალიზის შედეგად, რომელიც მიღებული (დაგროვილი) იყო ATLAS ექსპერიმენტში 2012 წლის განმავლობაში მასათა ცენტრის სისტემაში $\sqrt{s}$= 8 ტევ ენერგიისათვის და შეესაბამება 20.3 ფბ$^{-1}$ ინტეგრალურ ნათებას.

განხილულ იქნა ტოპ-ანტიტოპ კვარკების (tt^-) წყვილური დაბადების ტოპოლოგია, როდესაც ყალიბრული Z ბოზონები იშლებიან ლეპტონებად, ხოლო W ბოზონები იშლება კვარკებად (u,d,s,b კვარკების ადრონიზაციის შედეგად ვიღებთ ადრონულ ჭავლებს ("jets")) ანუ განხილულ იქნა $t \to qZ$ დაშლის ადრონული მოდა:

$$tt^- \to ZqWb \to l^+l^- j,jjb\ ,\ (l=e,\mu\ ;\ q=u)$$

ამრიგად პროცესის სიგნატურაა: ორი იზოლირებული ლეპტონი (ელექტრონები, ან მიონები), რომლებიც გამოყოფილი (განცალკავებული) არიან სხვა ობიექტებიდან R>0.4 –ით, სულ ცოტა 4 ჭავლი, რომელთაგან ერთი მაინც b- ჭავლია. მონაცემთა ანალიზი ჩატარდა შერჩევის კინემატიკური კრიტერიუმების

თანმიმდევრულად დადების მეთოდის საშუალებით. შემუშავებულ იქნა შემთხვევების არჩევის წინასწარი და საბოლოო შერჩევის კრიტერიუმები როგორც ექსპერიმენტული, ისე დაგენერირებული მონაცემებისათვის. მიღებულ იქნა ფონური პროცესების მოსალოდნელი შემთხვევების რაოდენობა, არჩეული ექსპერიმენტული შემთხვევების რაოდენობა და სიგნალის ეფექტურობა საბოლოო შერჩევის კრიტერიუმების გამოყენებით. სიგნალის შემთხვევების რიცხვი ნორმირებულია $t \to qZ$ დაშლის 1% ფარდობით ალბათობაზე. ძირითადი (დომინანტური) ფონური პროცესის Z+jets დაბადება შეფასებულ იქნა მონტე-კარლო სიმულაციის შედეგად მიღებული მონაცემების გამოყენებით. Z+jets პროცესის ნორმირებისათვის შერჩეულ იქნა შემდეგი სტრატეგია: Z+jets ფონის მონაცემები დაყოფილი იყო ორ ქვე-კრებულად: Z+LF (Z+მსუბუქი არომატის (u,d,s,კვარკები) მქონე კვარკებიდან წამოსული ჭავლები) და Z+HF (Z+მძიმე არომატის (b კვარკები) მქონე კვარკებიდან წამოსული ჭავლები). ამ ორი ქვე-ანსამბლისათვის შერჩეულ იქნა ე.წ. "საკონტროლო არეები". ამ არეებისათვის განმარტებული განტოლებათა სისტემიდან მიღებულ იქნა ნორმირების კოეფიციენტები (ფაქტორები) : x =0.78 ±0.11, y=1.32±0.21 შედეგებმა გვიჩვენა, რომ Alpgen მონტე-კარლო პროგრამა –გენერატორით მიღებული (დაგენერირებული) Z+jets ფონისათვის აღდგენილი Z ბოზონის განივი იმპულსით განაწილება განსხვავდება ექსპერიმენტული მონაცემებიდან მიღებული განაწილებისაგან. ამ განსხვავების შესასწორებლად (კორექტირებისათვის) შესწორების კოეფიციენტები (ფაქტორები) იქნა მიღებული Z ბოზონების განივი იმპულსებით განაწილების ყველა ინტერვალისათვის (ბიჯისათვის) იმ არეში სადაც არის 2 ჭავლი და მათ შორის არც ერთი b –ტაგირებული ჭავლი არ არის. ისეთი ფონური პროცესების წვლილი რომლებიც შეიცავენ შემთხვევებს ე.წ. "ცრუ" ლეპტონებით, შეფასებულ იქნა ე.წ. მატრიცული მეთოდის გამოყენებით. შესწავლილ იქნა ყველა შესაძლო სისტემატიური განუზღვრელობის წარმოშობის წყარო და მისი გავლენა საბოლოო შედეგებზე. ყოველი სისტემატიული განუზღვრელობის ყველა ფონური პროცესის და სიგნალის შემთხვევების რაოდენობაზე (რიცხვზე) ფარდობითი გავლენა შემთხვევათა საბოლოო შერჩევის შემდეგ გამოთვლილ იქნა "ბუთსტრეიფის" მეთოდის გამოყენებით.

I. 4.

1	დასახელება: „ელექტრული დიპოლური მომენტის ძიება COSY ამაჩქარებელზე" მიმართულება: „ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკა"	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ანდრო კაჭარავა ფიზ.-მათ. მეცნიერებათა დოქტორი, COSY/ANKE ექსპერიმენტის სპიკერი თანახელმძღვანელი : ნოდარ ლომიძე, ფიზ.-მათ. მეცნიერებათა დოქტორი	მ. ნიორაძე გ. მაჭარაშვილი მ. ტაბიძე დ. მჭედლიშვილი ზ. ბაღდასარიანი ლ. კანკაძე
2	ნუკლონ-ნუკლონური დრეკადი გაბნევის შესწავლა პოლარიზაციულ ექსპერიმენტებში	სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	მირიან ტაბიძე, მიხეილ ნიორაძე	ზ.ბაღდასარიანი, ა.კაჭარავა, დ.მჭედლიშვილი, ნ.ლომიძე, გ.მაჭარაშვილი, დ.ჭილაძე

	იულიხის COSY ამაჩქარებელზე			
3	მრავალნაწილაკოვანი აზიმუტალური კორელაციებისა და ჭავლების ჩაქრობის ეფექტების შესწავლა ბირთვ-ბირთვულ დაჯახებებში. DI/38/6-200/13 საბუნებისმეტყველო მეცნიერება, ფიზიკა	სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	გურამ ჩლაჩიძე ფიზ. მათ მეცნ. დოქტორი (Fermilab, USA). ლალი ხარხელაური ფიზ. მათ მეცნ. კანდ	ი. თევზაძე, ლ. ჩხაიძე, ლ. ახობაძე, ლ. აბესალაშვილი, თ. ტორიაშვილი, ნ. წვერავა, ა. მჟავია
4	ახალი თაობის ECAL-ელექტრომაგნიტური კალორიმეტრის შექმნა JPARC-ის COMET ექსპერიმენტისათვის DI/32/6-200/14 საბუნებისმეტყველო მეცნიერება, ფიზიკა	სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	პროექტის ხელმძღვანელი ზ.წამალაიძე, ფიზ.მათ.მეცნ. კანდიდატი JINR Dubna ი.თევზაძე ფიზ.მათ.მეცნ. დოქტორი (თანახელმძღვანელი)	ზ.წამალაიძე, ი.თევზაძე, ი.ბაღათურია, ი.ტრეკოვი, ბ.ჭილაძე, ი.მინაშვილი, ა.ხვედელიძე,ს.გოგილიძე
5	სტანდარტულ მოდელს მიღმა ფიზიკის შესწავლა ATLAS ექსპერიმენტის მოდერნიზაციის (RUN2) ეტაპზე	სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (გრანტi DI/20/6-200/14)	ირაკლი მინაშვილი	ჯემალ ხუბუა გელა დევიძე თამარ ჯობავა მაია მოსიძე არჩილ დურგლიშვილი თამარ ზაქარეიშვილი

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

1)შემუშავებულია და COSY ამაჩქარებლის პროგრამულ მრჩეველთა საბჭოზე წარდგენილია წინმსწრები ექსპერიმენტის კონცეფცია. იგი ითვალისწინებს ახალი ტიპის პოლარიმეტრის შექმნას, რომლის მახასიათებლები შეესაბამება დაგეგმილი ექსპერიმენტის მოთხოვნებს.

2)
ნუკლონ-ნუკლონური დრეკადი გაბნევის თემა, რომელიც შემუშავებული და შეთავაზებული იყო თბილისის ჯგუფის მიერ, სრულდება საერთაშორისო ANKE თანამშრომლობის ფარგლებში იულიხის COSY სინხროტრონზე ANKE მაგნიტური სპექტრომეტრის საშუალებით. ექსპერიმენტები ჩატარდა რამდენიმე ეტაპად პოლარიზებული/არაპოლარიზებული პროტონის/დეიტრონის ნაკადის გამოყენებით სხვადასხვა ენერგიებზე. სამიზნეს წარმოადგენდა ასევე პოლარიზებული /არაპოლარიზებული პროტონი/დეიტრონი. კვლევების ფინალურ (საანგარიშო) ფაზაში ორი ტიპის ექსპერიმენტები იქნა ჩატარებული უჯრედოვანი სამიზნის გამოყენებით, რამაც უზრუნველყო ექპერიმენტების მაღალი ნათება:

ა) პირველ ეტაპზე ექსპერიმენტები ჩატარდა 726 მევ ენერგიის ვექტორულად

პოლარიზებული დეიტრონის ნაკადის გამოყენებით, როცა უჯრედოვანი სამიზნე შევსებული იყო პოლარიზებული წყალბადის გაზით. ნაკადის პოლარიზაციის ხარისხი შეადგენდა 60%, ხოლო სამიზნისა 50%. d(pol)p→{pp}$_s$n გადამუხტვის რეაქციაში ორი ჩქარი პროტონის იდენტიფიკაცია ხებოდა ANKE სპექტრომეტრის წინა მხარის დეტექტორების სისტემის საშუალებით. ექსპერიმენტებში გაზომილ იქნა ვექტორული და ტენზორული ანალიზირების უნარები. გაზომვები კარგ თანხვედრაშია მცირე აღგზნების E_{pp} ენერგიაზე იმპულსურ მიახლოებაში შესრულებულ დათვლებთან, სადაც დომინირებს $1S^0$ მდგომარეობა, რაც მიუთითებს, რომ პარიცილურ-ტალღური ანალიზიდან მიღებული *np* ამპლიტუდები კორექტულია.

მეორე ეტაპზე ექსპერიემენტები ჩატარდა 600 მევ ენერგიის არაპოლარიზებული პროტონების ნაკადის გამოყენებით, როცა უჯრედოვანი სამიზნე შევსებული იყო პოლარიზებული დეიტრონების გაზით. დეიტრონზე გადამუხტვის რეაქციაში pd(pol)→n{pp}$_s$ მიღებული ორი ნელი პროტონის დეტექტირება ხდებოდა მარჯვენა ან მარცხენა სილიკონური სტრიპული დეტექტორის (STT) საშუალებით. როცა ორივე პროტონი ერთ დეტექტორში ხვდება, დეიტრონზე გადაცემული იმპულსი q > 160 მევ/c, ხოლო 2 პროტონის აღგზნების ენერგიაზე დადებული იყო პირობა E_{pp} < 3 მევ. ექსპერიმენტებში გაზომილ იქნა ვექტორული A_y და ტენზორული A_{yy} ანალიზირების უნარები, რომელიც კარგ თანხვედრაში აღმოჩნდა np გაბნევის ამპლიტუდის გამოყენებით იმპულსურ მიახლოებაში მიღებულ SAID გამოთვლებთან, ასევე ადრე გაზომილი d(pol)p→{pp}$_s$n რეაქციის იგივე პოლარიზაციულ მახასაიათებლებთან, რომელიც მიღებული იყო 1200 მევ ენერგიის დეიტრონების ნაკადში.

3)

I. p-C (4.2 და 10) გევ/c/ნუკლ, He-Li (4.5 გევ/c/ნუკლ), He-C (4.5 გევ/c/ნუკლ) და p-Ta (10 გევ/c/ნუკლ) ურთიერთქმედებებში პროტონებისა და პიონებისთვის მიმართული განივი გამოდინების (**მგგ**) ეფექტები შესწავლილ იქნა პ. დანიელევიჩისა და გ. ოდუნიეცის **განივი იმპულსების მეთოდით როგორც ექსპერიმენტულად, ასევე თეორიულად (UrQMD**–ით მოდელირებული შემთხვევები) **და ჩატარდა შედარებითი ანალიზი.**

მიმართული განივი გამოდინებისა (**მგგ**) და ელიფსური გამოდინების (**ეგ**) ეფექტები, შესწავლილ იქნა სადღეისოდ არსებულ **ყველაზე მსუბუქ** (p-C, He-(Li, C)) და ყველაზე ასიმეტრიულ (p-Ta) დამჯახებელ წყვილებში. დადგინდა გამოდინების **F** და a_2 პარამეტრების დამოკიდებულება დამჯახებელი ბირთვების A_P-A_T-საგან და ენერგიისაგან; მიღებული ექსპერიმენტული შედეგები ცდომილების ფარგლებში კარგად აღიწერა **UrQMD**–ით:

პროტონებისათვის მიმართული განივი გამოდინების F პარამეტრის სიდიდე მცირდება ენერგიისა და დამცემი სამიზნე (A_P-A_T) ბირთვების მასური რიცხვის ზრდასთან ერთად; პიონებისათვის კი დამზერილ იქნა F პარამეტრის ნიშნის შეცვლა შედარებით მძიმე (p-Ta) დამჯახებელი წყვილისთვის, ხოლო |F| სიდიდე, პროტონების მსგავსად, ასევე შემცირდა ენერგიისა და (A_P-A_T)-ს გაზრდისას:

p-C (4.2 და 10 გევ/c/ნუკლ) – (129.2±6.2) მევ/c და (90.2± 4.6) მევ/c **(prot. exp)**
(126.1± 3.0) მევ/c და (90.8± 1.4) მევ/c **(prot. UrQMD)**
(18.2± 7.6) მევ/c და (13.5± 2.8) მევ/c **(pion exp)**
(21.2± 7.6) მევ/c და (15.2± 1.9) მევ/c **(pion, UrQMD)**

He-Li (4.5 გევ/c/ნუკლ)- (83.6 ±8.9)მევ/c (**prot, epx)** და (91.1 ±1.6) მევ/c (**prot, UrQMD)**

He-C (4.5 გევ/c/ნუკლ) - (86.2 ±9.0)მევ/c (**prot, epx)** და (83.7 ±2.4) მევ/c (**prot, UrQMD)** He-(Li, C) გაერთიანებულ მასალაზე:

(14.0 ± 4.3) მევ/c (**pion, epx)** და (14.2 ± 1.8)მევ/c (**pion, UrQMD)**

p-Ta (10 გევ/c/ნუკლ) - (76.8 ±4.9)მევ/c (**prot, epx)** და (81.8 ±1.9) მევ/c (**prot, UrQMD)**
(-147 ± 4.5) მევ/c (**pion, epx)** და (-14.4 ± 2.6)მევ/c (**pion, UrQMD)**

გაიზარდა **პროტონების** ელიფსური გამოდინების $|a_2|$ პარამეტრი, როგორც ექსპერიმენტულ, ასევე UrQMDM მოდელირებულ შემთხვევებში, ენერგიის ზრდისას და თითქმის არ შეცვლილა (A_P-A_T) მასური რიცხვების შეცვლისას (ცდომილების ფარგლებში):

p-C (4.2 და 10 გევ/c/ნუკლ) – -0.051±0.017 და -0.071 ± 0.009 (**exp)**
-0.052±0.007 და -0.074 ± 0.006 **(UrQMD)**

He-Li (4.5 გევ/c/ნუკლ) – -0.043 ±0.018 (**epx)** და -0.042 ±0.008 (**UrQMD)**
He-C (4.5 გევ/c/ნუკლ) – -0.052 ±0.019 (**epx)** და -0.054 ±0.007 (**UrQMD)**
p-Ta (10 გევ/c/ნუკლ) – -0.071 ±0.015 (**epx)** და -0.071 ±0.006 (**UrQMD)**

1. **"Collective Phenomena in p(C, Ta) and He(Li, C) Collisions at Momenta of (4.2, 4.5 and 10) AGeV/c", გაგზავნილია გამოსაქვეყნებლად ჟურნალში Eur. Phys. J. C**

I. რელატიური იონების ფიზიკაში ერთ-ერთი საინტერესო ამოცანაა კუმულატიური ნაწილაკების და კუმულატიური ჭავლების დაბადების მექანიზმის შესწავლა.

შევისწავლეთ **A_iA_t≡(p,d,He,C)(C,Ta)**-ბირთვ-ბირთვულ დაჯახებებში (იმპულსების ინტერვალში **(2-10)AGeV/c**) დაბადებული n-ნაწილაკოვანი **jet**-კუმულატიური ჭავლებისა და მათი თანმხლები ნაწილაკების საშუალო კინემატიკური მახასიათებლები (სკმ). ანალიზმა აჩვენა, რომ:

1. $\mathbf{p^{cum}}$ –კუმულატიური პროტონები აგზნებული სამიზნე ბირთვიდან გამოფრინდებიან მეორადი ურთიერთქმედების გარეშე;

2. n-ნაწილაკოვანი **jet-** ჭავლების ფორმირება ხდება სამიზნე ბირთვის გარეთ;

3. CTa-ნახშირბად-ტანტალის დაჯახებებში **(4.2AGeV/c)** დაბადებული პროტონებისათვის ადგილი აქვს ჭავლების ჩაქრობის (შესუსტების) ეფექტს-**effect of jet quenching**-რაც გამოვლინდება დაბადებული ნაწილაკების (პროტონების) იმპულსური სპექტრის შერბილებაში და კუთხური სპექტრის გაფართოებაში.

4. $\mathbf{p^{cum}}$ –კუმულატიური პროტონების რაოდენობის ზრდა ურთიერთქმედებაში იწვევს თანმხლები ნაწილაკების მრავლობითობის ზრდას.

მზადაა პუბლიკაცია- **The Study of jet Quenching Effect in Nucleus-Nucleus Interactions.**

L.N.Abesalashvili, L.T.Akhobadze, V.R.Garsevanishvili, I.V.Tevzadze

4) სწრაფი სცინტილიაციური კრისტალების მახასიათებლების შესასწავლი სტენდის შექმნა

თსუ მეფი არის საერთაშორისო თანამშრომლობა **COMET-Coherent Muon to Electron Transition-**ს წევრი. ექსპერიმენტი ჩატარდება იაპონიაში **J-PARC (Japan Particles Research Complex)** პროტონულ ამაჩქარებელზე. თანამშრომლობაში გაერთიანებულია 14 ქვეყნის 30 სამეცნიერო ორგანიზაცია, 150 მონაწილე აზიიდან, ევროპიდან, ამერიკიდან. **COMET-**ის მიზანია ლეპტონური არომატის შენახვის კანონის დარღვევის ექსპერიმენტული აღმოჩენა **$\mu \rightarrow e$** კონვერსიაში. **CM-**სტანდარტული მოდელის ნებისმიერ გაფართოებაში (**CM-**ის მიღმა) გარკვეული ალბათობით შეიძლება ადგილი ქონდეს **CLFV-Charged Lepton Flavor Violation-**ს ლეპტონური არომატის შენახვის კანონის დარღვევას. ეს ძალიან იშვიათი პროცესია, რომლის დასაკვირვებლად საჭიროა დიდი ინტენსიობის მქონე პროტონების მონოენერგეტიკული ნაკადები საიდანაც მიიღებიან - მიუონები და შემდეგ ელექტრონები.

COMET-ის ტიპის ექსპერიმენტის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია **ECAL-**ელექტრომაგნიტური კალორიმეტრი, რომლის დანიშნულებაა **$\mu^- \rightarrow e^-$** კონვერსიის შედეგად მიღებული ელექტრონების დაფიქსირება და მათი ენერგიის ზუსტი გაზომვა. ECAL-ის ძირითადი ნაწილია სცინტილიატორები, რომლებსაც უნდა გააჩნდეთ სწრაფი სცინტილიაციის თვისება და შუქის დიდი გამოსავალი.
სცინტილიაციური კრისტალების - $\mathbf{C_{cr}}$ შესასწავლად შექმნილია მოწყობილობა (სტენდი), რომლის საშუალებითაც შეიძლება შევისწავლოთ $\mathbf{C_{cr}}$ –ის თვისებები- დროითი და

ამპლიტუდური მახასიათებლები და შევამოწმოთ მათი ერთგვაროვნება. C_{cr} –ის ერთგვაროვნებას ვსწავლობთ სინათლის დიოდის საშუალებით. სინათლის დიოდი ახდენს რადიოაქტიური წყაროს იმიტაციას. **LED**-სინათლის დიოდის საშუალებით შევამოწმეთ კრისტალის ერთგვაროვნებაც. მივიღეთ, რომ კრისტალი **BGO** უფრო გამჭვირვალეა, ვიდრე კრისტალი **NaI.**

ამის გარდა შექმნილია მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც ხდება კოსმოსური სხივებიდან μ -მიუონების გამოყოფა, რომლებიც ეცემიან შესასწავლ კრისტალებს –BGO, CsI, NaI, და $C_{14}H_{12}$.

სიგნალის ვიზუალიზაციისათვის მოწყობილობა დაკავშირებულია ოსცილოსკოფთან, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია გავზომოთ სცინტილიატორიდან მიღებული სიგნალის (იმპულსის) მახასიათებლები. ამ მოწყობილობის საშუალებით შევისწავლეთ კრისტალების **BGO, CsI** და **NaI** (არაორგანული კრისტალები) და სტილბენის $C_{14}H_{12}$ (ორგანული) მახასიათებლები.

მიღებული წინასწარი შედეგები მოხსენებული იქნა **COMET** თანამშრომლობის მე-17 სამუშაო შეკრებაზე (ვორქშოპი), საფრანგეთი, პარიზი (7-11) სექტემბერი.

“**Time and Amplitude Characteristics of Scintillation Cristals” –COMET International Collaboration Meeting, CM-17, September (7-11) LPNHE, Pariz,France.**
(https://indico.in2p3.fr/event/11720)

I. სტროუ მილების შერჩევა ექსპერიმენტ COMET-ის Straw Tracker-სათვის

ექსპერიმენტ **COMET**-ის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია **Straw Tracker (**სტროუ ტრეკერი) **ECAL**-ელექტრომაგნიტურ კალორიმეტრთან ერთად. **Straw Tracker**-ის დანიშნულებაა **μ-→e-** - კონვერსიის შედეგად მიღებული ელექტრონების იმპულსის ზუსტი გაზომვა და იდენტიფიკაცია. დანადგარის მთავარი ნაწილია სტროუ მილები, რომლებიც მზადდებიან უნიკალური ზებგერითი შედუღების ტექნოლოგიით (ქ.დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებულ ინსტიტუტში).
გასული წლის განმავლობაში **COMET** ექსპერიმენტისთვის (რომელიც ჩატარდება J-**PARK** ამაჩქარებელ კომპლექსზე, იაპონიაში) ტრეკული დეტექტორისათვის-**Straw Trecker** დამზადდა 2700 სტროუ მილი აქედან დეტექტორისთვის 2500 ცალი აუცილებელი (და 200 რეზერვი, გაუთვალისწინებელი შემთხვევებისათვის). კვლევისა და დამზადების პროცესის დროს შემუშავდა ტესტირების ახალი მეთოდები, გამოვლინდა სუსტი და ძლიერი მხარეები, რომლებიც აუცილებლად გათვალისწინებული იქნება ექსპერიმენტის მომდევნო ეტაპზე (**Phase–2**-სათვის).
დამზადებული 2700 მილი იაპონიაში გაგზავნამდე მოთავსებული იქნა სპეციალურ შემნახველ საცავში, სადაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მათზე დაკვირვების და სისტემური გაზომვების შედეგად გაიზომა გაზის-**Ar/C2H5** გაჟონვა-ხდება მილიდან გაზის გაჟონვის კონტროლი, ეს პროცედურა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია ხარისხის კონტროლისა და ექსპერიმენტის საიმედობისათვის.
ამ დროისთვის მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა ტრეკული დეტექტორის მოდელირებაში **GEANT4**-ის და **GSARFIELD** გამოყენებით, რომელიც მომავალშიც გაგრძელდება მთლიანი დეტექტორის დამონტაჟებამდე. გასულ 2015 წელს დასრულდა ტრეკული დეტექტორის პროტოტიპის აწყობა და ტესტირება. აგრეთვე მომზადდა **KEK**-ში სამუშაო ბაზა ექსპერიმენტის პირველი ნაწილის - **Phase–1**-ისთვის განკუთვნილი 5 მოდულის ასაწყობად, რომელშიც ჩამონტაჟდება ალუმინის სტროუ მილები.

5) ტაილ კალორიმეტრის მოდერნიზაციის (გაუმჯობესების) პროგრამის პირველი ფაზა.
ითვალისწინებს ე.წ. „დემონსტრატორის“ (ჰიბრიდული ყუთი) კონსტრუირებას (შექმნას) და განვითარებას. გადაწყვეტილი იქნა ერთი ჰიბრიდული ყუთის დაყენება ტაილ კალორიმეტრში 2014-2018 წლებში. ჰიბრიდელი ყუთი წარმოადგენს დანადგარის

მოდერნიზაციის მეორე ფაზისათვის დემონსტრატორ ყუთს, რომელიც აღჭურვილია დამატებითი ელექტრონიკით, რათა ის თავსებადი იყოს არსებულ სისტემასთან. დემონსტრატორის განვითარება გულისხმობს (მოიცავს) დეტექტორთან არსებული და მის გარეთ მდებარე ახალი ელექტრონიკის, და შესაძლოა ახალი მექანიკის შექმნასა და განვითარებას. 2015 წლის ოქტომბერში ჩატარებულ იქნა დანადგარის სატესტო დასხივება 50, 150 და 180 გევი ენერგიის მქონე ელექტრონების, პიონების და მიონების ნაკადებით ცერნის H8 ამაჩქარებელზე რათა შემოწმებულ იქნას უკანა ფრონტის ელექტრონიკის გადაწვეტის 3 სხვადასხვა ვარიანტი. დაწყებულია სატესტო დასხივების დროს დაგროვილი მონაცემების ანალიზი. კერძოდ შეისწავლება ტაილ კალორიმეტრის ცენტრალური ბარელის (კასრის) მოდულის ინტერყალიბრება 180 გევი ენერგიის მქონე მიონების 90^0 გრადუსის კუთხით დაცემისას. ამ ანალიზის მიზანია ტაილ კალორიმეტრის ყოველი უჯრედისათვის სცინტილატორებში გამოყოფილი ენეტრგიის გამოთლა (dE/dx). dE/dx ერთი და იგივე უნდა იყოს ყოველ უჯრედში, თუ არ არის ერთი და იოგივე, მაშინ ინტერ-ყალიბრების ფაქტორები უნდა იყოდ დადგენილი და გამოყენებული. შესწავლილ იქნა ფოტოგამამრავლებლების გამოძახილი ყოველი (თითოეული) სცინტილატორისათვის. ასევე შეისწავლება 900 გრადუსის კუთხით დამცემი 180 გევი ენერგიის მქონე მიონების გარჩევისუნარინობის და გამოძახილის დამოკიდებულება ნაკადის z კოორდინატზე.

ტოპ კვარკის აშნდ–თი გამოწვეული იშვიათი დაშლების ძიება 2015–2017 წლებში დაგროვილი ATLAS ექსპერიმენტის მონაცემებზე, რაც საშუალებას მოგვცემს წინა ექსპერიმენტებთან შედარებით მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ აშნდ–თი გამოწვეული ტოპ კვარკის იშვიათი დაშლების მგრზნობიარობის შეფასება.

არომატის შემცვლელი ნეიტრალური დენებით მიმდინარე ტოპ კვარკის იშვიათი დაშლის $t \to qZ$ დამზერის შესაძლებლობის შესწავლის მიზნით გენერაცია-სიმულაციის შედეგად მიღებული მონაცემების გამოყენებით შემუშავებულ იქნა ჩამოჭრის კინემატიკური კრიტერიუმების თანდათანობით დადების მეთოდი.. განხილულ იქნა ტოპ-ანტიტოპ კვარკების ($t\bar{t}$) წყვილური დაბადების ტოპოლოგია:

$$t\bar{t} \rightarrow ZqWb \rightarrow l^+l^- j, l^{\pm} \nu b \ , (l=e, \mu \ ; \ q=c,u)$$

პროცესის სიგნატურაა: სამი იზოლირებული ლეპტონი (ელექტრონები, ან მიონები), ნაკლული განივი ენერგია E_t^{Miss} (ნეიტრინოს არსებობით განპირობებული) და ორი ჭავლი.

ტოპ-კვარკის FCNC დაშლის სიგნალის და ფონების ანალიზისათვის გამოყენებულ იქნა ტოპ-ანტიტოპ კვარკების ($t\bar{t}$) წყვილური დაბადების მონტე-კარლო დაგენერირებული შემთხვევები $\sqrt{s}$=13 ტევი ენერგიისათვის (ე.ი როცა პროტონების დამჯახებელი თითოეული ნაკადების ენერგია არის 6.5 ტევი). სიგნალის გენერაციისათვის გამოიყენება პროგრამა – გენერატორი PROTOS.

სიგნალის და ფონური პროცესების დაგენერირებული (სიმულირებული) მონაცემების დასამუშავებლად და ანალიზისათვის გამოვიყენეთ ROOT- ზე (ROOT არის პროგრამული პაკეტი, რომელიც გამოიყენება ნაწილაკთა ფიზიკაში ექსპერიმენტულ მონაცემების ანალიზისა და სტატისტიკური დამუშავებისათვის) დაფუძნებული AnalysisTop პაკეტი, რომელიც წარმოადგენს TopRootCore პაკეტის ვერსიას Run-2 მონაცემებისათვის. იგი შექმნილია ATLAS- ის ტოპ კვარკის ფიზიკის შემსწავლელი ჯგუფისათვის და გამოიყენება როგორც ექსპერიმენტული ისე დაგენერირებული მონაცემების ანალიზისათვის. AnalysisTop პაკეტის საშუალებით შესაძლებელია ობიექტების არჩევა (ელექტრონები, მიონები. ჭავლები, ნაკლული განივი ენერგია) და მათი ყალიბრება, შემთხვევების სრული აღდგენა (რეკონსტრუქცია) და არჩევა, ჩამოჭრის კინემატიკური კრიტერიუმების თანმიმდევრული დადება ფონური პროცესების ეფექტური ჩამოჭრისათვის, ნებისმიერი კინემატიკური ცვლადის მიხედვით განაწილებების მიღება და სხვა.

ჩვენი ანალიზისათვის აუცილებელი ძირითადი ობიექტების: ლეპტონების(ელექტრონების და მიონების), ჭავლების და ნაკლული განივი ენერგიის E_t^{Miss} შერჩევის კრიტერიუმების დადგენის და სათანადოდ მათი რეკონსტრუქციის შემდეგ შემუშავებულ იქნა ჩამოჭრის კინემატიკური კრიტერიუმების თანდათანობით დადების მეთოდი სიგნალის შემთხვევების ეფექტურობის დადგენისა და ფონური პროცესების შემცირების (შესუსტების) მიზნით. ამ შერჩევის კრიტერიუმების თანმიმდვრული დადების შედეგად მიღებული იქნა ფონური პროცესის მოსალოდნელი შემთხვევეების რიცხვები (კერძოდ ZW დაბადების პროცესისათვის)

II. 1. პუბლიკაციები:
ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლ.ნ.აბესალაშვილი, ლ.ტ.ახობაძე, ი,ბ.თევზაძე, თ.ა.ტორიაშვილი	Сравнительный Анализ Характеристик жёстких и мягких процессов из ядро-ядерных столкновении при импульсах 4.2AGeV/c и 10AGeV/c. GESJ:Physics	Date 2015- №1(13) UDC:5391	GESJ-Georgian Electronic Scientific Journal	6გვ.
2	ა.გალოიან, ლ.ჩხაიძე, გ.ჩლაჩიძე, თ.ჯობავა. ლ.ხარხელაური, რ.ტოგო, ვ.უჟინსკი	Study of the Collective Flows of Protons and Pions in p(C, Ta) and He(Li, C) Collisions at Momenta of (4.2, 4.5 and 10) AGeV/c	Date 2015- April, vol.9 no.1	Bull. of the Georgian National Academy of Sciences	10გვ.
3	ანზორ ხელაშვილი	Unpolarised distributions with transverse momenta in the chiral quark-solution models: T-odd structure functions in the Skyrme-like solitonic NJL model Georgian Scientific Electronic	No.1(13) [2015.06.30]	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და საქართველოს საპატრიარქოს წმ.ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	6გვ.

4	ზაქარია მერებაშვილი	Journal:Physics Obtaining matrix elements for 5-point on-shell Feynman diagrams Georgian Scientific Electronic Journal:Physics	No.1(13) [2015.06.30]	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და საქართველოს საპატრიარქოს წმ.ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	10გვ
5	ანზორ ხელაშვილი და თეიმურაზ ნადარეიშვილი	Effective Potentials in the Reduced Alt-Grassberger-Sandhas-Khelashvili (AGSK) equations and the Many Channel problem საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალი ”მოამბე”	V9, N 1 (2015)	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	6გვ
6	ანზორ ხელაშვილი და თეიმურაზ ნადარეიშვილი	On the existence of additional (hydrino) states in the Dirac equation საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალი ”მოამბე’	V9, N 3 (2015)	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	6გვ
7	გელა დევიძე, აკაკი ლიპარტელიანი	TOP QUARK	No.2(14)	საქართველოს ტექნიკური	

		RARE RADIATIVE DECAY IN UNIVERSAL EXTRA DIMENSION MODEL GESJ:Physics	[2015.13.31[	უნივერსიტეტი და საქართველოს საპატრიარქოს წმ.ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	4გვ.

ანოტაციები ქართულ ენაზე

1) შესწავლილია **(p,d,He,C)(C,Ta)-**დაჯახებებში იმპულსების ინტერვალში **(2-10)10GeV/c** წარმოქმნილი $\mathbf{p^{cum}}$-კუმულატიური პროტონების დაბადების მექანიზმი. ნაჩვენებია, რომ $\mathbf{p^{cum}}$-კუმულატიური პროტონების დაბადება ძირითადად განპირობებულია მძიმე სამიზნე ბირთვის ნუკლონების სიმკვრივის ფლუქტუაციით – "ცივი" მოდელი, მაგრამ გარკვეულ როლს თამაშობს დამცემი ნაწილაკის მასა და ენერგია. ექსპერიმენტულ მონაცემებს ვადარებთ **QGSM**-კვარკ-გლუონური სიმური მოდელის შედეგებს
2) p-C (4.2 და 10) **AGeV/c**, He-Li (4.5**AGeV/c**), He-C (4.5**AGeV/c**) და p-Ta (10**AGeV/c**) ურთიერთქმედებებში პროტონებისა და პიონებისთვის შესწავლილია და მიმართული განივი გამოდინების (directed flow) და პიონებისათვის ელიფსური გამოდინების (elliptic flow) ეფექტები. შესწავლილ იქნა პ. დანიელევიჩისა და გ. ოდუნიეცის **განივი იმპულსების მეთოდით (როგორც ექსპერიმენტულად, ასევე თეორიულად UrQMD-**ულტრა რელატივისტური მოლეკულური მოდელით) და ჩატარდა შედარებითი ანალიზი. მიღებული ექსპერიმენტული შედეგები ცდომილების ფარგლებში კარგად აღიწერება UrQMD მოდელით.
3) ანოტაცია სტატიის: ანზორ ხელაშვილი. ''Unpolarised distributions with transverse momenta in the chiral quark-solution models: T-odd structure functions in the Skyrme-like solitonic NJL model''
დამუშავებულია ნუკლონის სტრუქტურული ფუნქციების გამოთვლის ფორმალიზმი ნუკლონის, როგორც კირალური სოლიტონის განხილვის შემთხვევაში. ცნობილია, რომ სტრუქტურული ფუნქციები განიხილება როგორც კვარკებისგან შედგენილი ნუკლონით, ასევე ნუკლონით, რომელიც წარმოადგენს კირალურ სოლიტონს. ეს სურათი განსაკუთრებით გამოკვეთილია ნამბუსა და იონა ლაზინიოს მოდელში, რომელიც წარმოადგენს კვანტური ქრომოდინამიკის ეფექტურ თეორიას. რაც შეეხება T-კენტ განაწილების ფუნქციებს, აქ უფრო საინტერესო სიტუაციაა იჩენს თავს. სახელდობრ, კირალური სიმეტრიის დარღვევის გამო კირალურად კენტი განაწილება ტოლფასი ხდება T-კენტი განაწილებისა დროის არეკვლის მიმართ ინვარიანტობის დარღვევის გარეშე.
4) ანოტაცია სტატიის: ზაქარია მერებაშვილი. ''Obtaining matrix elements for 5-point on-shell Feynman diagrams'' მიღებულია ანალიზური შედეგები ერთ-მარყუჟიანი ხუთ-წერტილოვან მასურ ზედაპირზე არსებული ამპლიტუდების წარმოსადგენად როგორც შეშფოთების თეორიის მწკრივები $O(\varepsilon^2)$ რიგამდე განზომილებიანი რეგულარიზაციის ε პარამეტრის მიმართ ეს ერთ-მარყუჟიანი მატრიცული ელემენტები ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას შესაბამისი კვეთების განსასაზღვრავად მძიმე კვარკების ოტოდაბადებისათვის და ფოტონ-ფოტონური რეაქციებისათვის.
5) ანოტაცია სტატიის: ანზორ ხელაშვილი და თეიმურაზ ნადარეიშვილი. ''Effective Potentials in the Reduced Alt-Grassberger-Sandhas-Khelashvili (AGSK) equations and the Many Channel problem'' ცნობილია აგსხ ოპერატორებისათვის ინტეგრალური განტოლებების ისეთი ფორმულირება, როდესაც ისინი აკმაყოფილებენ 3-განზომილებიან განტოლებებს (ნაცვლად 6-განზომილებიანისა) და ეფექტური პოტენციალები

შეიძლება ნაპოვნი იქნას ფადდეევის მსგავსი განტოლებებიდან. ამ ფორმულირებაში დაუშვებელია სხვადასხვა მიახლოებითი მეთოდი და მას აქვს მრავალი უპირატესობა ზოგიერთი პრობლემის შესწავლისას. ჩვენ ვიყენებთ გრინის ფუნქციების სპექტრალურ წარმოდგენას და ვაჩვენებთ, რომ ყველა პოზიტიური თვისება აგსხ განტოლებებისა ძალაში რჩება და ამავდროულად ეფექტური პოტენციალები მარტივდება.

6) ანოტაცია სტატიის: ანზორ ხელაშვილი და თეიმურაზ ნადარეიშვილი. ''On the existence of additional (hydrino) states in the Dirac equation''.

უსპინო ნაწილაკების რელატივისტურ კლაინ-გორდონის განტოლებაში კულონური პოტენციალისთვის წარმოიქმნება ზედმეტი (სინგულარული) ამოხსნები, რომლებიც კვანტური მექანიკის აპარატის ყველა მოთხოვნას (ნორმირებადობა, ორთოგონალურობა, ნორმის დროზე დამოუკიდებლობა და ა.შ.) აკმაყოფილებენ. ასეთი ამოხსნის (ჰიდრინო, მცირე წყალბადი) დაკვირვება მნიშვნელოვანი იქნებოდა სხვადასხვა ახალი ფიზიკური მოვლენის დამზერისათვის. იგივე ამოცანაში - სპინიანი ნაწილაკისთვის (ელექტრონი) დირაკის განტოლების ფარგლებში ნაჩვენებია, რომ სათავეში სინგულარული ასიმპტოტიკის მქონე ამონახსნი მართლაც არსებობს, ოღონდ სინგულარობის ხარისხი უფრო მაღალია, ვიდრე უსპინო შემთხვევაში. ამის გამო ადგილი აღარ აქვს ალბათობის (ნორმის) დროზე დამოუკიდებლობას, აგრეთვე არ სრულდება ორთოგონალურობის პირობა, თუმცა სრული ალბათობა სასრულია მოდელის პარამეტრების გარკვეულ არეში.

ამის გამო, დასკვნის სახით ვთვლით, რომ დირაკის განტოლებაში დამატებითი ამოხსნა უნდა უგულვებელვყოთ და დავკმაყოფილდეთ ნორმალური (სტანდარტული) ამონახსნით.

7)ჩვენ შევაფასეთ ტოპ კვარკის აშნდ დაშლები მოდელში ერთი დამატებითი განზომილებით. შესრულებული გამოთვლები გვიჩვენებენ, რომ მოდელებში ერთი დამატებითი სივრცული განზომილებით ტოპ კვარკის აშნდ დაშლების პარციალური ალბათობები არ იზრდება.

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნა-ლის/კრებუ-ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მ.ნიორაძე გ.მაჭარაშვილი ა.კაჭარავა მ.ტაბიძე ნ.ლომიძე დ.ჭილაძე დ.მჭედლიშვილი ზ.ბაღდასარიანი და სხ.	“New method for a continuous determination of the spin tune in storage rings and implications for precision	115, 094801 (2015)	American Physical Society,USA 1 Research Road, Ridge, NY 11961-2701	6

		experiments” Phys. Rev. Lett.			
2	S.Dymov, T.Azaryan, Z.Bagdasarian, ..., D.Chiladze, A.Kacharava, N.Lomidze, G.Macharashvili, D.Mchedlishvili, M.Nioradze, M. Tabidze et al.	“Analysing powers and spin correlations in deuteron–proton charge exchange at 726 MeV” Physics Letters B 744 (2015) 391	B 744	North-Holland Publishing Company, P.O. Box 103, Amsterdam, Netherlands	4
3	B.Gou, G.Macharashvili, Z.Bagdasarian, ..., D.Chiladze, A.Kacharava, N.Lomidze, G.Macharashvili, M.Nioradze, M. Tabidze et al.	“Study of the $p\vec{d} \to n\{pp\}_s$ charge-exchange reaction using a polarised deuterium target” Physics Letters B 741 (2015) 305	B 741	იხილეთ: http://link.springer.com/article/10.1134%2FS1547477115010148	15
4	ანზორ ხელაშვილი და თეიმურაზ ნადარეიშვილი	Singular Behavior of the Laplace Operator in Polar Spherical Coordinates and Some of Its Consequences for the Radial Wave Function at the Origin of Coordinates. **Physics of Particles and Nuclei**	Vol 12.No1	North-Holland Publishing Company, P.O. Box 103, Amsterdam, Netherlands	6

	(2015 წელს გამოქვეყნებულია ATLAS ექსპერიმენტის სახელით 107 სამეცნიერო სტატია, აქედან	**Letters** Physical Review D,C --- 21 სტატია Journal of High Energy Physics (JHEP) ---- 31 სტატია Physics Letter ---- 13 სტატია Physical Review Letters ---- 13 სტატია Journal of Instrumentation (JINST) ---- 1 სტატია European Journal of Physics C (EPJ) ---- 28 სტატია იხილეთ: http://inspirehep.net/search?ln=en&ln=en&p=Find+Author+Djobava&of=hb&action_search=Search&sf=&so=d&rm=&rg=25&sc=0			
5	G. Aad,... T.Djobava,...A.Durglishvili ,..,I.Minashvili,..., M.Mosidze,... J.Khubua,... et al; ATLAS Collaboration	Search for flavour-changing neutral current top quark decays $t \to Hq$ in pp collisions at $\sqrt{s}$=8 TeV with the ATLAS detector Journal of High Energy Physics (JHEP)	1512 (2015) 061		61ბმ
6	G. Aad,... T.Djobava,...A.Durglishvili ,..,I.Minashvili,..., M.Mosidze,... J.Khubua,... et al; ATLAS Collaboration	Measurement of the top quark branching ratios into channels with leptons and	(2015) 7, 072005		31ბმ

		quarks with the ATLAS detector			
7	G. Aad,... T.Djobava,...A.Durglishvili ,..,I.Minashvili,..., M.Mosidze,... J.Khubua,... et al; ATLAS Collaboration	Phys.Rev. D92 Measuremer of the top pair production cross sectior in 8 TeV proton-proton collisions using kinematic information in the lepton+jets final state with ATLA	(2015) 11, 112013		25ბმ
8	G. Aad,... T.Djobava,...A.Durglishvili ,..,I.Minashvili,..., M.Mosidze,... J.Khubua,... et al; ATLAS Collaboration	Phys.Rev. D91 Measurement of the top quark mass in the $tt^{-} \rightarrow$ lepton+jets and $tt^{-} \rightarrow$ dilepton channels using $s\sqrt{=}7$ TeV ATLAS data	(2015) 7, 330		35ბმ
9	G. Aad,... T.Djobava,...A.Durglishvili ,..,I.Minashvili,..., M.Mosidze,... J.Khubua,... et al; ATLAS Collaboration	Eur.Phys.J. C75 Search for *s*-channel single top-quark production in proton–proton collisions at $s\sqrt{=}8$ TeV with the ATLAS detector Phys.Lett.	(2015) 118-136		19ბმ

		B740			

ანოტაციები ქართულ ენაზე

1)აღწერილი და ტესტირებულია სპინური სიხშირის განსაზღვრის ახალი მეთოდი. იდეალურ ბრტყელ მაგნიტურ რგოლში სპინური სიხშირე, რომელიც განისაზღვრება როგორც სპინის ვექტორის ბრუნვათა რიცხვი ნაწილაკის ამაჩქარებლის ორბიტაზე ერთი სრული ბრუნვისათვის საჭირო დროის განმავლობაში, გამოითვლება ფორმულით: $\nu_s = \gamma \cdot G$, სადაც γ ლორენცის ფაქტორია, ხოლო G- ნაწილაკის ანომალური მაგნიტური მომენტი. COSY (COoler Synchrotron) ამაჩქარებლის რგოლში $970 MeV/c$ იმპულსის მქონე $\approx 120 kHz$ სიხშირით კოჰერენტულად მბრუნავი დეიტრონების ნაკადის სპინური სიხშირის მნიშვნელობა გამოითვლებოდა დეიტრონ-ნახშირბადის დრეკადი გაბნევის ზედა-ქვედა ასიმეტრიის მნიშვნელობის გამოყენებით. 2.6 წმ დროით ინტერვალში სპინური სიხშირე განისაზღვრა 10^{-8} სიზუსტით, ხოლო ამაჩქარებლის 100 წმ ციკლისათვის - $1 \cdot 10^{-10}$. ასეთი სიზუსტის მიღწევა შესაძლებელი გახდა წარმოდგენილი, ამაჩქარებლის ფიზიკის ახალი პრეცეზიული ინსტრუმენტის (მეთოდის) გამოყენებით. სპინური სიხშირის კონტროლი აუცილებელია, მაგალითად, დამუხტული ნაწილაკების ელექტრული დიპოლური მომენტის (ედმ) გაზომვისათვის დამაგროვებელ რგოლში.

2) COSY-ANKE დანადგარზე მაღალ სტატისტიკაზე შესწავლილია ვექტორულად პოლარიზებული T_d=726 მევ ენერგიის დეიტრონების გადამუხტვის რეაქცია პოლრიზებულ წყალბადის სამიზნეზე. იმ შემთხვევებისათვის, როცა ორი ჩქარი პროტონის სისტემას მცირე E_{pp} აღგზნების ენერგიის აქვს, გაზომილი ანალიზირების უნარი და სპინური კორელაციის კოეფიციენტები მგრძნობიარეა T_n=1/2T_d=263 მევ ნეიტრონის კინეტიკური ენერგიაზე ნეიტრონ-პროტონული გადამუხტვის ამპლიტუდების ინტერფერენციის მიმართ. ექსპერიმენტული მონაცემები როგორც აღგზნების ენერგიის ისე გადაცემული იმპულსის მიხედვით კარგ თანხვედრაშია იმპულსურ მიახლოებაში ჩატარებული გამოთვლები, სადაც გათვალისწინებულია 2 პროტონის სისტემაში კუთხური კორელაციები.

3) COSY-ANKE დანადგარზე გაზომილი იქნა რეაქციის ვექტორული და ტენზორული ანალიზირების უნარები pd(pol)→n{pp}$_s$ გადამუხტვის რეაქციაში დამცემი პროტონის 600 მევ ენერგიაზე, როცა არაპოლარიზებული პროტონების ნაკადი ეცემოდა პოლარიზებული დეიტრონების გაზით შევსებულ უჯრედოვან სამიზნეს. მცირე ენერგიის მქონე პროტონების წყვილის დეტექტირება ხდებოდა სამიზნის ორივე მხარეს განლაგებული სილიკონური ტრეკული ტელესკოპების საშუალებით. დიპროტონების აღგზნების ენერგიაზე დადებული პირობა E_{pp}< 3 მევ უზრუნველყოფდა რომ, წყვილი ძირითადად $1S^0$ მდგომარეობაში იყო. დეიტრონების პოლარიზაციის ხარისხი მოწმდებოდა pd დრეკადი გაბნევის რეაქციის საშუალებით. ანალიზი ჩაუტარდა შემთხვევებს, როცა ორივე პროტონი ერთ ტელესკოპში ხვდერბოდა, რამაც უზრუნველყო გადამუხტვის რეაქციის შესწავლა დიდ გადაცემულ იმპულსზე q>160 მევ/c. ახალი ექსპერიმენტული მონაცემები კარგად აგრძელებენ ექსპერიმენტულ მონაცემებს მცირე გადაცემულ იმპულსზე q<140 მევ/c, ორივე მონაცემი კი კარგ თანხვედრაშია იმპუსლური მიახლოების წინასწარმეტყველებებთან. ეს ყველაფერი მიუთითებს, რომ ANKE-ს დეიტრონის მუხტური გადამუხტვის პროგრამა შეიძლება წარმატებით გაგრძელდეს უფრო მაღალ ენერგიებზე პოლარიზებული დეიტრონის სამიზნისა და პოლარიზებული პროტონების ნაკადის გამოყენებით.

4)ანოტაცია სტატიაზე ანზორ ხელაშვილი და თეიმურაზ ნადარეიშვილი. ’’Singular Behavior of the Laplace Operator in Polar Spherical Coordinates and Some of Its Consequences for the Radial Wave Function at the Origin of Coordinates’’.

შესწავლილია ლაპლასის ოპერატორის სინგულარული ყოფაქცევა სფერულ კოორდინატებში. ნაჩვენებია, რომ სრული შრედინგერის განტოლებიდან დაყვანილ რადიალურ განტოლებაზე გადასვლის წარმოიქმნება დელტა ფუნქციის მაგვარი დამატებითი წევრი. გამოკვლეულია თუ რა პირობებში შეიძლება "მოვიშოროთ" ეს წევრი. შესწავლილია ლაპლასის ოპერატორის სინგულარული ყოფაქცევა სფერულ კოორდინატებში. ნაჩვენებია, რომ სრული შრედინგერის განტოლებიდან დაყვანილ რადიალურ განტოლებაზე გადასვლის წარმოიქმნება დელტა ფუნქციის მაგვარი დამატებითი წევრი. გამოკვლეულია თუ რაპირობებში შეიძლება "მოვიშოროთ" ეს წევრი. კერძოდ დადგინდა, რომ ამ წევრის მოსაშორებლად აუცილებელი და საკმარისი პირობაა ის, რომ რადიალური ტალღური ფუნქცია საკმარისად სწრაფად ეცემოდეს სათავეში. კონკრეტულ მაგალითებზე განხილულია ამ დაკვირვებიდან გამომდინარე რამდენიმე ფიზიკური შედეგი.

5) წარმოდგენილია არომატის შემცვლელი ნეიტრალური დენებით მიმდინარე ტოპ კვარკის u ან c (ჩარმიან) კვარკად და სტანდარტული მოდელის ჰიგს ბოზონად (საცად ჰიგს ბოზონი იშლება $b\bar{b}$ კვარკულ წყვილებად) დაშლის ძიების შედეგები. ძიება მიმდინარეობდა ტოპ კვარკის წყვილური დაბადებისა შემთხვევებში როცა ერთი ტოპ კვარკი იშლება Wb –დ, W ბოზონის შემდგომი ლეპტონური დაშლით და მეორე ტოპ კვარკი იშლება Hq -დ. ძიება დაფუძნებულია პროტონ-პროტონულ ურთიერთქმედებებზე $\sqrt{s}=8$ ტევ ენერგიაზე რომლებიც დაგროვილი იყო 2012 წელს ცერნის დიდი ადრონული კოლაიდერის ATLAS დეტექტორზე და შეესაბამება 20.3 fb^{-1} ინტეგრალურ ნათებას. მონაცემები გაანალიზებულ იქნა ლეპტონ+ჭავლების საბოლოო მდგომარეობაში, რომელი ხასიათდება იზოლირებული ელექტრონით ან მიონით და სულ ცოტა 4 ჭავლით. ძიების დროს გათვალისწინებილია ის გარემოება რომ სიგნალის შემთხვევები ხასიათდება b –კვარკიდან წამოსული ჭავლების დიდი მრავლობითობით და იყენებს ალბათურ დისკრინანტულ ცვლადს რომელი საშუალებას იძლევა დანახულ იქნას სიგნალის და ფონური პროცესების, რომელთა შორის დომინანტური დაშლაა $t\bar{t} \rightarrow WbWb$, კინემატიკური განსხვავება. არ ყოფილა ნაპოვნი არავითარი სიჭარბე სიგნალის შემთხვევებისა მოსალოდნელ ფონური პროცესების შემთხვევებზე და დამზერილი (მოსალოდნელი) ზედა ზრვრები 0.56% (0.42%) და 0.61% (0.64%) არის მიღებული სათანადოდ $t \rightarrow Hc$ და $t \rightarrow Hu$ დაშლების ფარდობითი ალბათობებისათვის 95% საიმედობის (ნდობის) დონეზე. ამ შედეგების კომბინირება ATLAS ექსპერიმენტში $H \rightarrow \gamma\gamma$, $H \rightarrow WW^*$, $\tau\tau$ სხვა დაშლების მოდებთან საგრძნობლად აუმჯობესებს მგრძნობიარობას და გვაძლევს $t \rightarrow Hc$ და $t \rightarrow Hu$ დაშლების ფარდობითი ალბათობებისათვის დამზერილ (მოსალოდნელ) ზედა ზრვრებს 0.46% (0.25%) და 0.45% (0.29 %) სათანადოდ 95% საიმედობის (ნდობის) დონეზე. შესაბამისად კომბინირებული დამზერილი (მოსალოდნელი) ზედა ზრვრები $|\lambda_{tHc}|$ და $|\lambda_{tHu}|$ ბმის კონსტანტებზე არის 0.13 (0.10) და 0.13 (0.10) შესაბამისად.

6) წარმოდგენილია ტოპ კვარკის ლეპტონებად და ჭავლებად დაშლების ფარობითი ალბათობების გაზომვის შედეგები $t\bar{t}$ (ტოპ-ანტიტოპ) შემთხვევების გამოყენებით. ექსპერიმენტული მონაცემები დაგროვილი იყო დიდი ადრონული ამაჩქარებლის ATLAS დეტექტორზე პროტონ-პროტონულ ურთიერთქმედებებში მასათა ცენტრის სისტემაში 7 ტევ ენერგიაზე. დაგროვილი მომაცემები შეესაბამება 4.6 fb^{-1} ინტეგრალურ ნათებას. ტოპ კვარკის ფარდობოთი დაშლების ალბათობები თანხვედრაშია სტანდარტული მოდელის წინასწარმეტყველებასთან გაზომვის ცდომილების რამდენიმე პროცენტის ფარგლებში (სიზუსტით).

7) წარმოდგენილია პროტონ-პროტონულ ურთიერთქმედებებში მასათა ცენტრის სისტემაში $\sqrt{s}=8$ ტევ ენერგიაზე $t\bar{t}$ ინკლუზიური დაბადების განივკვეთის (კვეთის) გაზომვის შედეგი ცერნის დიდი ადრონული ამაჩქარებლის ATLAS ექსპერიმენტზე დაგროვილი ექსპერიმენტული მონაცემების გამოყენებით. გაზომვა განხორციელდა $t\bar{t} \rightarrow (e,\mu)+jets$ (ლეპტონ+ ჭავლები) საბოლოო მდგომარეობაში ექსპერიმენტული მონაცემების მეშვეობით, რომლებიც შეესაბამება 20.3 fb^{-1} ინტეგრალურ ნათებას. განივკვეთი მიღებული იყო ალბათური ანალიზის მეთოდის გამოყენებით (დისკრიმინანტული ცვლადით აპროქსიმაცია-ფიტირება) და აგრეთვე b- ჭავლის იდენტიფიკაცია იყო გამოყენებული სიგნალის ფონურ

პროცესებთან ფარდობის გაუმჯობესების მიზნით. $t\bar{t}$ ინკლუზიური დაბადების განივკვეთის (კვეთის) გაზომვის შედეგია $260\pm1(stat)^{+22}_{-23}(syst)\pm8(lumi)\pm4(beam)$ pb როცა ტოპ კვარკის მასა ტოლია 172.5 გევის რაც კარგ თანხვედრაშია კვეთის თეორიულ წინასწარმეტყველებასთან: 253^{+13}_{-15} pb.

8)ტოპ კვარკის მასა გაზომილ იქნა $t\bar{t}\rightarrow$lepton+jets და $t\bar{t}\rightarrow$dilepton (lepton=e,μ) არხებში ATLAS დეტექტორზე 2011 წლის განმავლობაში დაგროვილი ექსპერიმენტულო მონაცემების საფუძველზე. მონაცემები დაგროვილი იყო დიდ ადრონულ ამაჩქარებელზე პროტონ-პროტონულ ურთიერთქმედებებში $\sqrt{s}$ =7 ტევ მასათა ცენტრის ენერგიაზე, რომელიც შეესაბამება 4.6 fb^{-1} ინტერგრალურ ნათებას. $t\bar{t}\rightarrow$lepton+jets ანალიზის დროს გამოყენებულ იქნა სამგანზომილებიანი ე.წ. შაბლონის ტექნიკა (მეთოდი) რომელიც განსაზღვრავს ტოპ კვარკის მასას ჭავლის ენერგიის სკალარულ (მაშტაბურ) ფაქტორთან (JSF) და b - ჭავლის მსუბუქ ჭავლთან მიმართებით ენერგიის მაშტაბურ ფაქტორთან (bJSF) ერთად, სადაც b - ჭავლები და მსუბუქი ჭავლები წარმიადგენენ b კვარკიდან და u,d,c,s-კვარკებიდან ან გლუონებიდან წარმოქმნილ ჭავლებს სათანადოდ. $t\bar{t}\rightarrow$dilepton არხისთვის გამოყენებულ იქნა ერთგანზომილებიანი ე.წ. შაბლონის მეთოდი, რომელიც იყენებს $m_{\ell b}$ ცვლადს (დაკვირვებად სიდიდეს), რომელი განისაზღვრება როგორც ყოველ შემთხვევაში ორი ლეპტონი+ b-ჭავლიის საშუალო ინვარიანტული მასა. ტოპ კვარკის მასის გაზომილი მნიშვნელობისათვის მიიღეს მნიშვნელობა 172.33±0.75(stat)±1.02(syst) გევი და 173.79±0.54(stat)±1.30(syst) გევი $t\bar{t}\rightarrow$*lepton+jets* და $t\bar{t}\rightarrow$*dilepton* არხებში სათანადოდ. ორი შედეგეის კომბინაცია (გაერთიანება) გვაძლევს m_{top}=172.99±0.48(stat)±0.78(syst) გევს, სრული განიზღვრელობით 0.91 გევი.

9) ნაშრომში წარმოდგენილია დიდ ადრონულ ამაჩქარებელზე პროტონ-პროტონულ ურთიერთქმედებებში მასათა ცენტრის სისტემაში 8 ტევ ენერგიაზე s-არხში ტოპ კვარკის ეული (ერთეულად, ცალკე) დაბადების ძიების შედეგები. გაანალიზებული ექსპერიმენტული მონაცემები დაგროვილი იქნა ATLAS დეტექტორზე და შეესაბამება 20.3 fb^{-1} ინტეგრალურ ნათებას. არჩეული შემთხვევები შეიცავენ ერთ დამუხტულ ლეპტონს, დიდ ნაკლულ განივ იმპულსს და ზუსტად 2 მონიშნულ (ტაგირებულ) b -ჭავლს. შემთხვევების მულტივარიაციული კლასიფიკატორი იქნა შემუშავებული რათა შესაძლებელი ყოფილიყო s-არხში ტოპ კვარკის ეული (ერთეულად, ცალკე) დაბადების შემთხვევების გარჩევა მთავარი ფონური პროცესების წვლილისგან. სიგნალის ამორჩევა (გამოჩენა) დაფუძნებულია შემთხვევების არჩევის (კლასიფიკაციის) შედეგად მიღებული გამოსავალი განაწილებების ბინების (შუალედების) მიხედვით მაქსიმალური დამაჯერებლობის (ალბათობის) მეთოდით ფიტირებით (აპროქსიმაციით).ანალიზის შედეგად მიღებულია s-არხში ტოპ კვარკის ეული (ერთეულად, ცალკე) დაბადების კვეთის ზედა ზღვარი 14.6 pb 95% საიმედობის (ნდობის) დონეზე.ფიტირების შედეგად მიღებულ იქნა კვეთა σ_s=5.0±4.3 pb , რომელიც თანხვედრაშია სტანდარტული მოდელის წინასწარმეტყველებასთან.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	თ.ნადარეიშვილი	თვითშეუღლებული გაფართოების პროცედურა რელატივისტურ განტოლებებში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და

			საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში 29 იანვარი - 3 თებერვალი 2015 წელი. თბილისი. იხილეთ: http://conference.ens-2015.tsu.ge/lecture/view/20
2	თ. ჯობავა	HEPI TSU Activities at ATLAS Experiment	საერთაშორისო კონფერენცია “Modern Trends in Particle Physics” მიძღვნილი თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 35 წლისთავისადმი, 26-27 ნოემბერი,თბილისი საქართველო, 2015 წ
3	გ.დევიძე	Theoretical research of particle physics at HEPI TSU	საერთაშორისო კონფერენცია “Modern Trends in Particle Physics” მიძღვნილი თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 35 წლისთავისადმი, 26-27 ნოემბერი,თბილისი საქართველო, 2015 წ
4	ბ. ჩარგეიშვილი	ATLAS Tile Calorimeter E4 scintillators role in the physics objects calibration	საერთაშორისო კონფერენცია “Modern Trends in Particle Physics” მიძღვნილი თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 35 წლისთავისადმი, 26-27 ნოემბერი,თბილისი საქართველო, 2015 წ..

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1)ანოტაცია მოხსენებაზე: თ.ნადარეიშვილი. თვითშეუღლებული გაფართოების პროცედურა რელატივისტურ განტოლებებში. ჩატარებულია თვითშეუღლებული გაფართოების პროცედურა ერთ და ორნაწილაკოვან კლეინ- გორდონის განტოლებებში. მიღებულია საკუთარი მნიშვნელობების განტოლება და შესწავლილია ამ განტოლების ანალიზურად ამოხსნადი შემთხვევები. განხილულია ამ შემთხვევებში მიღებული ფორმულების არარელატივისტური ზღვრები. ნაჩვენებია, რომ თვითშეუღლებული გაფართოების პარამეტრის კიდურა წერტილების შესამაბამისი მდგომარეობები ორთოგონალურნი არ არიან და საჭიროა ახალი კვანტური რიცხვის ’’peculiarity’’ “შემოტანა, ხოლო ამ პარამეტრის სხვა მნიშვნელობებისათვის შესაბამისი მდგომარეობები ორთოგონალურია და შეიძლება დაისვას მათ შორის გადასვლების ექსპერიმენტზე პოვნის საკითხი.ნაჩვენებია, რომ ერთნაწილაკოვან კლეინ-გორდონის განტოლებაში ნულოვანი ენერგიის მდგომარეობები შეიძლება არსებობდნენ მხოლოდ თვითშეუღლებული გაფართოებით. ნაჩვენებია, რომ ორნაწილაკოვან

კლეინ-გორდონის განტოლებაში ორმა ტოლ მასიანმა ნაწილაკმა შეიძლება შექმნას უმასო ბმული მდგომარეობა მხოლოდ თვითშეუღლებული გაფართოებით. ნაჩვენებია, რომ ერთნაწილაკოვან დირაკის განტოლებაში არ არის საჭირო თვითშეუღლებული გაფართოების პროცედურის ჩატარება.

2)მოხსენებაში წარმოდგენილ იქნა მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის თ შ ექსპერიმენტის ფიზიკური პროგრამის ფარგლებში მონაწილეობა რამდენიმე მიმართულებით, კერძოდ ტაილ კალორიმეტრის მოდერნიზაციის სამუშაოებში მონაწილეობა; ტაილ კალორიმეტრის მონაცემთა ხარისხის და ვარგისიანობის დადგენა, შემოწმება და ანალიზი; ტაილ კალორიმეტრის დემონსტრატორის სატესტო დასხივების სეანსებში მონაწილეობა და დაგროვილი მონაცემების ანალიზი; ტაილ კალორიმეტრის E4 სცინტილატორის როლს შესწავლა ფიზიკური ობიექტების (ელექტრონების, ჭავლების) ყალიბრებაში; არომატის შემცველი ნეიტრალური დენებით მიმდინარე ტოპ კვარკის $t \rightarrow Zq$ იშვიათი დაშლის შესწავლა. წარმოდგენილ იქნა ყველა ამ მიმართულებით მიღებული შედეგები.

3)მოხსენებაში მიმოხილული იყო თსუ მეფი-ის თეორეტიკოსების კვლევის შედეგები.

4)მოხსენებაში წარმოდგენილი იყო შემდეგი შედეგები:ახალი, მულტივარიაციული ანალიზის მეთოდით ელექტრონების ენერგიის ყალიბრება წარმოდგენილი იყო ტაილ კალორიმეტრის ცენტრალური კასრის მოდულებსა და წაგრძელებული კასრის მოდულებს შორის არსებულ ღრეჭოსთვის ($1.4 < \eta < 1.6$). ამ ღრეჭოში განთავსებული 4 სცინტილატორი აუმჯობესებს ენერგეტიკულ გარჩევისუნარიანობას 10%-40%-მდე.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	გ. მაჭარაშვილი	Polarimetry for the JEDI project: MC simulation for conceptual design	დეკემბერი 2015 Bad Honnef, Germany CANU-CBAC-JCHP-FFE
2	ზ.ბაღდასარიანი	Nucleon-nucleon scattering studies at small angles at COSY-ANKE	24.03.2015 ჰედილებერგი, გერმანია
3	ზ.ბაღდასარიანი	Measurement of the Analysing Power in Proton-Proton Elastic Scattering	26.01-30.01 2015 ბორმიო, იტალია
4	ი. თევზაძე	Time and Amplitude Characteristics of Scintillation Cristals	საფრანგეთი, პარიზი LPNHE-Laboratoire de Physiqne Nuclearite et de Havtes Energies. 2015.09.07 ირენ და ჟოლიო კიურების უნივერსიტეტი https://indico.in2p3.fr/event/11720
5	გ.დევიძე	LFV in ED	საფრანგეთი, პარიზი LPNHE-Laboratoire de Physiqne Nuclearite et de

			Havtes Energies. 2015.09.07 ირენ და ჟოლიო კიურების უნივერსიტეტი https://indico.in2p3.fr/event/11720
6	არჩილ დურგლიშვილი	E4 Scintillator studies for Egamma calibration in crack; E4 Scintillator studies for Egamma calibration in crack; Usage of gap/crack scintillators in e/gamma	ATLAS ექსპერიმენტის ტაილ კალორიმეტრის კვირეული, ცერნი, ჟენევა, შვეიცარია, 13.01.15; 11-13.02.15; 30-02.15
7	თამარ ჯობავა მაია მოსიძე	DQ Leader Report	ATLAS ექსპერიმენტის ტაილ კალორიმეტრის სამუშაო თათბირი, ცერნი, ჟენევა, შვეიცარია 14. 05. 2015 18. 05. 2015 21. 05. 2015 28. 05. 2015 4. 06. 2015
8	არჩილ დურგლიშვილი	Search for FCNC decays t->Zq in dilepton channel	ATLAS ექსპერიმენტის ტოპ კვარკის თვისებების შემსწავლელი ჯგუფის სამუშაო თათბირი; ცერნი, ჟენევა, შვეიცარია 16 ივლისი, 2015 წ. 24 სექტემბერი, 2015
9	არჩილ დურგლიშვილი		ტაილ კალორიმეტრის ღრეჭოს სცინტილატორების ყალიბრების სამუშაო თათბირი, ცერნი, ჟენევა, შვეიცარია, 21 ივლისი, 2015 წ. 28 ივლისი, 2015 წ. 11 აგვისტო, 25 აგვისტო, 1 სექტემბერი, 2015 წ. 15 სექტემბერი, 2015 წ 29 სექტემბერი, 2015 წ 13 ოქტომბერი, 2015 წ. 3 ნოემბერი 2015 წ. 14 დეკემბერი 2015 წ

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1)მოხსენება ეხებოდა ახალი პოლარიმეტრიის კონცეფციის შემუშავებას მომავალი ექსპერიმენტისათვის, რომლის მიზანი იქნება დამუხტული ნაწილაკების ელექტრული

დიპოლური მომენტის ძიება. მოყვანილია დეიტრონ-ნახშირბადის ურთიერთქმედების შედეგად დრეკადად გაბნეული დეიტრონების LYSO კრისტალში დეტექტირების მოდელირების შედეგები. ნაჩვენებია, რომ შესაძლებელია დრეკადად გაბნეული დეიტრონების გამოყოფა არადრეკადი ურთიერთქმედების შედეგად დაბადებული პროტონებისაგან.

2)პარციალურ-ტალღური ანალიზი (PWA) წარმოადგენს ნუკლონ-ნუკლონური (NN) ურთიერთქმედების აღწერის საყოველთაოდ აღიარებულ მიახლოებას. SAID მონაცემთა ბაზა და ანალიზის პროგრამები მოიცავს სრულ კუთხურ ინტერვალში სხვადასხვაგვარ ექსპერიმენტულად დაკვირვებად სიდიდეებს, რომელთა გაშლა ხდება პარციალურ ტალღებად. იულიხის COSY ამაჩქარებელზე მიმდინერე ექსპერიმენტების მიზანია შეავსოს SAID მონაცემთა ბაზა ღირებული გაზომვებით. ექსპერიმენტული მონაცემები მიღებული იქნა დამცემი პოლარიზებული პროტონის 6 სხვადასხვა ენერგიაზე 0.8-2.4 გევ ენერგეტიკულ იტერვალში არაპოლარიზებული პროტონებისა და დეიტრონების სამიზნეებისა და ANKE სპექტრომეტრის გამოყენებით. მოყვანილია pp-გაბნევის რეაქციის ანალიზირების უნარი და დიფერენციალური კვეთის შედეგები, რამაც მნიშვნელოვნად შეავსო 800 მევზე ზემოთ მცირე კუთხეებზე მონაცემებში არსებული სიცარიელე. მოხსენებაში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია პროტონ-დეიტრონ გაბნევის შესწავლაზე, რაც მოიცავს პოლარიზებული დეიტრონების ნაკადით მიღებულ როგორც ძველ შედეგებს, ისე პოლარიზებული პროტონების ნაკადითა და არაპოლარიზებული დეიტრონის სამიზით მიღებულ ახალ მონაცემებს. კერძოდ მოყვანილია ანალიზირების უნარის უკანასკნელი შედეგები დრეკად pd და np გაბნევებში.

3) ANKE/COSY დანადგარზე გაზომილი იქნა რეაქციის ანალიზირების უნარი პოლარიზებული პროტონიების ნაკადის არაპოლარიზებულ პროტონებზე დრეკადი გაბნევის რეაქციაში მცირე კუთხეებზე 6 სხვადასხვა ენერგიაზე 0.8-2.4 გევ ინტერვალში. ამ გაზომვებმა შეავსო ის სიცარიელე, რომელიც არსებობდა SAID მონაცემთა ბაზაში. 796 მევ ენერგიაზე ANKE შედეგები კარგ თანხვედრაში აღმოჩნდა ამ ენერგიაზე არსებულ სხვა ექსპერიმენტების შედეგებთან, თუმცა მაღალ ენეგრიებზე, რომლებზედაც დღემდე მონაცემები არ არსებობდა, ANKE გაზომვის შედეგები სისტემატუირად მაღალი იყო უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებულ პარციალურ-ტალღური ანალიზის SAID ჯგუფის SP07 წინასწარმეტყველებებთან. ANKE შედეგების გათვალისწინებით მიღებული SAID ახალი ამონახსნები უკეთეს თანხვედრაშია არსებულ ექსპერიმენტულ მონაცემებთან. მცირე კუთხეებზე მონაცემთა დამატებამ მნიშვნელოვნად შეცვალა ზოგიერთი პარციალური ტალღების ფაზები და დაბალენერგეტიკული არადრეკადობის წვლილი. ამ შედეგებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ნუკლონ-ნუკლონური ურთიერთქმედების ფენომენოლოგიური გაგება, რაც თავისთავადაც მნიშვნელოვანია, და ასევე დაგვეხმარება ნათელი მოეფინოს ნუკლონ-ნუკლონურ სხვა რეაქციებსაც.

4) 2015წლის (7-11)სექტემბერს პარიზში (საფრანგეთი) ჩატარდა **COMET-Coherent Muon to Electron Transition** საერთაშორისო თანამშრომლობის სამუშაო შეკრება-ვორკშოპი-**CM-17**. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 7 ქვეყნის (იაპონია, ინდოეთი, ინგლისი, საფრანგეთი, საქართველო, ჩინეთი, რუსეთი) ათმა სამეცნიერო ორგანიზაციამ და 50-მდე სპეციალისტმა.
COMET-ექსპერიმენტის ერთ-ერთი მთავარი ნაწილი **ECAL-** ელექტრომაგნიტური კალორიმეტრი, რომლის დანიშნულებაა არა მარტო $\mu^- \rightarrow e^-$ გადასვლის შედეგად მიღებული ელექტრონების ენერგიის ზუსტი გაზომვა, არამედ ელექტრონების სივრცული და დროითი მახასიათებლების საჭირო სიზუსტით გაზომვაც. **ECAL**-ის მთავარი შემადგენელი ნაწილი (ფოტოდეტექტორებთან ერთად) არის სცინტილიაციური კრისტალები; და ამ კრისტალებს უნდა ქონდეთ კარგი დროითი და ამპლიტუდური მახასიათებლები.
შესწავლილია არაორგანული (**NaI(TI)** -ნატრიუმის იოდიდი, **CsI(TI)**-ცეზიუმის იოდიდი, **BGO**-ვისბუტის გერმანატი) და ორგანული (სტილბენი-$C_{14}H_{12}$) სცინტილიატორების დროითი და ამპლიტუდური მახასიათებლები. კრისტალები დასხივებული იქნა კოსმოსური μ-მიუონებით, რომლებიც გამოიყოფიან კოსმოსური სხივებიდან სპეციალური მოწყობილობით სქელი მშთანთქმელის და თანხვედრის სქემის საშუალებით.
ჩვენი შედეგები (მაგ. τ-გამოსხივების დრო **CsI(TI)** და **BGO** –თვის) საკმაოდ კარგ თანხმობაშია ლიტერატურაში არსებულ მონაცემებთან.
განზრახული გვაქვს მონაცემების გამოქვეყნება და ასევე სხვა კრისტალების (**Gso,LYSO**)

თვისებების შესწავლა.

5) დამატებითი განზომილებების კვალი O(1 TeV) ენერგიებზე შესაძლებელია დაიმზიროს ლეპტონური არომატის დარღვევით მიმდინარე პროცესებში, და ამ მიმართულებით უფრო პერსპექტიულია მუონიუმ-ანტიმუონიუმ ოსცილაციები და მუონ-ელექტრონის კონვერსია.

6) მოხსენებებში წარმოდგენილია ტაილ კალორიმეტრის ცენტრალური კასრის მოდულებსა და წაგრძელებული კასრის მოდულებს შორის არსებულ ღრეჯოსთვის (1.4 <η < 1.6) ელექტრონების ენერგიის ყალიბრების გაუმჯობესების შესწავლის შედეგები. ამისათვის გამოყენებულია ღრეჯოს E4 სცინცილატორები მულტივარიაციული ანალიზის მეთოდით ელექტრონების ენერგიის ყალიბრებისათვის.

7) მოხსენებებში წარმოდგენილი იყო ATLAS ექსპერიმენტის ტაილ კალორიმეტრის მონაცემთა ხარისხის (ვარგისიანობის) შესწავლა-ანალიზის შედეგები ზემოთმოყვანილი პერიოდის განმავლობაში განალიზებულ იქნა კოსმოსური სხივების დაცემის შედეგად დაგროვილი მომაცემთა 94 ნაკრები და 13 ტევ ენერგიაზე პროტონ-პროტონული ურთიერთქმედებების შედეგად მიღებული მონაცემების 3 ნაკრები. გამოვლენილ იქნა ტაილ კალორიმეტრში ზოგიერთ მოდულში (კერძოდ LBC02) ცალკეული ფოტოგამამრავლებლების გაუმართავი მუშაობა (კერძოდ LBC02 მოდულში 42-ე ფეგ-ი), მოხდა მათი მასკირება- ანუ მათ მიერ მოხსნილი სიგნალები დამუშავების პროცესში არ იქნა გათვალისწინებული. ეს გარემოება მთლიანობაში არ ამახინჯებდა ჩაწერილ ინფორმაციას. გაანალიზებულ იქნა აგერთვე ტაილ კალორიმეტრის ლაზერით, ფიქსირებული მუხტით დასხივების შედეგად მიღებული შედეგები (მონაცმეთა 56 ნაკრები) და აგრეთვე ე.წ. "პედესტალის" ყალიბრული შემოწმება რომლის მიზანია ტაილ კალორიმეტრის ელექტრონიკის ხმაურის შესწავლა. დასხივების სეანსების მიზანია შემოწმდეს ტაილ კალორიმეტრის მოდულების შეცვლილი ელექტრონიკის მუშაობა და მისი ვარგისიანობა კოლაიდერის და ATLAS დანადგარის გაშვების შემდეგ მაღალ ენერგიაზე – მასათა ცენტრის სისტემაში $\sqrt{s}$=13 ტევზე

8) მოხსენებებში წარმოდგენილი იყო არომატის შემცვლელი ნეიტრალური დენებით მიმდინარე ტოპ კვარკის იშვიათი დაშლის $t \to qZ$ შესწავლის შედეგები ექსპერიმენტული მონაცემების ანალიზის შედეგად, რომელიც მიღებული (დაგროვილი) იყო ATLAS ექსპერიმენტში 2012 წლის განმავლობაში მასათა ცენტრის სისტემაში $\sqrt{s}$= 8 ტევ ენერგიისათვის და შეესაბამება 20.3 ფბ$^{-1}$ ინტეგრალურ ნათებას. განხილულ იქნა ტოპ-ანტიტოპ კვარკების (tt^-) წყვილური დაბადების ტოპოლოგია, როდესაც ყალიბრული Z ბოზონები იშლებიან ლეპტონებად, ხოლო W ბოზონები იშლება კვარკებად (u,d,s,b კვარკების ადრონიზაციის შედეგად ვიღებთ ადრონულ ჭავლებს ("jets")). ანუ განხილულ იქნა $t \to qZ$ დაშლის ადრონული მოდა. ტოპ კვარკის იშვიათი დაშლა $t \to qZ$ დამზერილი არ იქნა და დადებულ იქნა $t \to qZ$ დაშლის ფარდობით ალბათობაზე დამზერის (მოსალოდნელი) ზედა ზღვარი 95% საიმედოობის (ნდობის) დონეზე: $Br(t \to qZ) = 2.9\text{x}10^{-3}$ ($2.7\text{x}10^{-3}$).

9) მოხსენებაში წარმოდგენილი იყო შემდეგი შედეგები:ახალი, მულტივარიაციული ანალიზის მეთოდით ელექტრონების ენერგიის ყალიბრება წარმოდგენილი იყო ტაილ კალორიმეტრის ცენტრალური კასრის მოდულებსა და წაგრძელებული კასრის მოდულებს შორის არსებულ ღრეჯოსთვის (1.4 <η < 1.6). ამ ღრეჯოში განთავსებული E4 სცინტილატორი აუმჯობესებს ენერგეტიკულ გარჩევისუნარიანობას 10%-40%-მდე.. E/E_{true} განაწილების მაქსიმუმი (პიკი) მდებარეობს 1% -ის ფარგლებში ერთიანიდან. 10%-იანი ცვლილება (ვარიაცი) E4 ენერგიაში იწვევს 3.5%-იან ცვლილებას საბოლოო მულტივარიაციული ანალიზის მეთოდით ყალიბრებულ ენერგიაში. კარგია თანხვედრაა ექსპერიმენტულ და მონტე-კარლო მონაცემებს შორის 2015 წლის მონაცემთა საწყისი კრებულებისათვის თ შ დანადგარის ხელმეორედ გაშვების შემდეგ. E4 მთვლელების ყალიბრება განხორციელდება ლაზერული სისტემის კონსტანტების გამოყენებით მონაცმეთა ხელმეორედ სრული აღდგენა-დამუშავების წინ.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1				

IV. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	სტანდარტული მოდელის მიღმა ახალი ფიზიკის ძიება და შესწავლა ცერნის დიდი ადრონული ამაჩქარებლის ATLAS ექსპერიმენტში	ჯემალ ხუბუა, პროექტის მენეჯერი გელა დევიძე	ირაკლი მინაშვილი ნუგზარ მოსულიშვილი თამარ ჯობავა მაია მოსიძე აკაკი ლიპარტელიანი არჩილ დურგლიშვილი ირინა ხუციშვილი თამარ ზაქარეიშვილი	მეცნიერების და ტექნოლოგიის საერთაშორისო ცენტრი (ISTC)
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				
1.მონაცემთა დამუშავება, მონტე-კარლო ოპტიკური მოდელის ოპტიმიზაცია ტაილ კალორიმეტრის აზიმუტალური კუთხის გასწვრივ გამოძახილის უკეთესი აღწერისათვის. განსაზღვრულ იქნა ATLAS ექსპერიმენტის ადრონული ტაილ კალორიმეტრის ფოტოგამამრავლებლების გამოძახილის დამოკიდებულება ტრეკის დაცემის აზიმუტალურ კუთხეზე. ტაილ კალორიმეტრის ყოველი ფილა-სცინცილატორიდან (ტაილიდან) სიგნალის წაკითხვა ხორციელდება ორი სხვადასხვა ფოტოგამამრავლებლის მიერ ტალღური წანაცვლების მქონე ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების საშუალებით. სიგნალი ტაილის ცენტრში განსხვავდება მისი კიდეებიდან მოხსნილი სიგნალისაგან, საბოლოოდ მიიღება ე.წ. "U" ფორმის განაწილება. შედეგები მიღებულ იქნა $\sqrt{s} = 8$ ტევ ენერგიაზე პროტონ-პროტონულ შემთხვევებში $W \to \mu\nu$ პროცესში დაბადებულ მიონების ანალიზის შედეგად. სცინცილატიური ფილების (ტაილების) გამოძახილის დამოკიდებულება ტრეკის დაცემის წერტილზე გავლენას ახდენს ჭავლის ელექტრომაგნიტური ენერგიეს მასშტაბის განსაზღვრაზე. ისი მნიშვნელობა იზრდება 2%-ით. გაზომვის განუზღვრელობა შეადგენს 0.9%-ს. სიმულაციის შედეგად მიღებული აღდგენილი ჭავლების მიერ ტაილ კალორიმეტრში გამოყოფილი ენერგიის იზრდება 3.6%-ით. ენერგიის განსაზღვრის (გაზომვის) სისტემატიური განუძვრელობა შეადგენს 2%-ს. ე.წ. "U" ფორმის სიმულაცია ძალიან მცირე გავლენას (0.3%)ტაილ კალორიმეტრის ფენების (შრეების) ინტერ-ყალიბრებაზე			

2. არომატის შემცვლელი ნეიტრალური დენებით მიმდინარე (FCNC) ტოპ კვარკის იშვიათი დაშლა $t \rightarrow qZ$ იქნა შესაწავლილი ექსპერიმენტული მონაცემების ანალიზის შედეგად, რომელიც მიღებული (დაგროვილი) იყო ATLAS ექსპერიმენტში 2012 წლის განმავლობაში მასათა ცენტრის სისტემაში $\sqrt{s}$= 8 ტევ ენერგიისათვის და შეესაბამება 20.3 ფბ$^{-1}$ ინტეგრალურ ნათებას. განხილულ იქნა ტოპ-ანტიტოპ კვარკების ($t\bar{t}$) წყვილური დაბადების ტოპოლოგია, როდესაც ყალიბრული Z ბოზონები იშლებიან ლეპტონებად, ხოლო W ბოზონები იშლება კვარკებად (u,d,s,b კვარკების ადრონიზაციის შედეგად ვიღებთ ადრონულ ჭავლებს ("jets")). $t\bar{t} \rightarrow bWqZ$ შემთხვევები შესწავლილ იქნა დილეპტონურ არხში: Z ბოზონების ლეპტონური და W ბოზონების ადრონული დაშლები იქნა განხილული. შემუშავებულ იქნა ჩამოჭრის კინემატიკური კრიტერიუმების თანდათანობით დადების მეთოდი (წინასწარი და საბოლოო შერჩევის კრიტერიუმები) სიგნალის შემთხვევების ეფექტურობის დადგენისა და ფონური პროცესების შემცირების (შესუსტების) მიზნით. FCNC სიგნალის შემთხვევები დაგენერირებული იყო მონტე-კარლოს მეთოდით პროგრამა გენერატორის PROTOS –ის საშუალებით და ფონური პროცესებისათვის გამოყენებული იყო სხვადასხვა გენერატორები. აგენერირებული ყველა შემთხვევები გატარებულ იქნა ATLAS დეტექტორის სიმულაციის პროგრამა GEANT4 –ში და აღდგენილი იყო იგივე ალგორითმებით, რომლებიც გამოყენებული იყო ექსპერიმენტული მონაცემების აღდგენის (რეკონსტრუქციის) დროს. არჩეული ჩამოჭრის კინემატიკური კრიტერიუმების სიგნალის და ფონური პროცესების (Z+jets, ttbar,ZW, ZZ, WW, Z+γ+jets, ეული (ცალკეული) ტოპ კვარკის დაბადება, top+Z, ttbar+ γ, ttbar+W(Z)+jets,ttbar+H, Triboson) მონტე-კარლო შემთხვევებზე დადების შემდეგ მიღებულ იქნა ფონური პროცესების მოსალოდნელი შემთხვევების რიცხვები, არჩეული ექსპერიმენტული შემთხვევების რიცხვი და სიგნალის ეფექტურობა საბოლოო შერჩევის შედეგად. საბოლოო შერჩევის შემდეგ სიგნალის მნიშვნელოვნების ($s/\sqrt{b}$) ოპტიმიზაციის მიზნით . ალბათური ანალიზი იყო გამოყენებული.

ალბათური ანალიზის სტრატეგია არის აირჩეს ისეთი არაკორელირებული 5 ფიზიკური ცვლადები რომელთა მიხედვით განაწილებები სიგნალის და ფონების შემთხვევებისათვის განსხვავებულია. შემდეგ შერჩეულ (შედგენილ) იქნა დისკრიმინანტული ცვლადი L_R და მასზე დადებულ იქნა ჩამოჭრის პირობა სიგნალის მნიშვნელოვნების ოპტიმიზაციის მიზნით. რეალური ლეპტონების შემცველი ფონური პროცესები შეფასებულ იქნა მონტე-კატლო შემთხვევების საშუალებით. მატრიცული მეთოდის საშუალებით გამოყენებით შეფასებულ იქნა ინ ფონური პროცესების მცირე წვლილი რომლებიც შეიცავენ ე.წ. "ცრუ ლეპტონებს" ჭავლების არასწორი იდენტიფიკაციის შედეგად. Z+jets პროცესის ნორმირებისათვის Z+LF (Z+მსუბუქი არომატის (u,d,s,კვარკები) მქონე კვარკებიდან წამოსული ჭავლები) და Z+HF (Z+მძიმე არომატის (b კვარკები) მქონე კვარკებიდან წამოსული ჭავლები) ქვე-კრებულებისათვის შერჩეულ იქნა ე.წ. "საკონტროლო არეები" სადაც ამ ქვე-კრებულების წვლილი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ამ საკონტროლო არეებში ერთდროული აპროქსიმაცია (ფიტირება)იქნა ჩატარებული. შესწავლილ იქნა ყველა შესაძლო სისტემატიური განუზღვრელობის წარმოშობის წყარო და მისი გავლენა სიგნალის და /ან ფონური პროცესების მოსალოდნელ რიცხვებზე. ყოველი სისტემატიული განუზღვრელობის ყველა ფონური პროცესის და სიგნალის შემთხვევების რაოდენობაზე (რიცხვზე) ფარდობითი გავლენა შემთხვევათა საბოლოო შერჩევის შემდეგ გამოთვლილ იქნა "ბუთსტრეიფის" მეთოდის გამოყენებით.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის
2015 წლის სამეცნიერო აქტივობის ამსახველი ცხრილი

გამოქვეყნებული/გამოსაქვეყნებლად გადაცემული ნაშრომების რაოდენობა	15/4
სამეცნიერო კონფერენციებზე წარდგენილი მოხსენებების რაოდენობა	13
საგრანტო პროექტები ა)მიმდინარე ბ)დასრულებული	9 6 3
მიმდინარე წელს მოპოვებული გრანტების რაოდენობა	3

ინსტიტუტის დირექტორი
პროფ. მიხეილ ნიორაძე

ინსტიტუტის სამეცნიერო
საბჭოს თავმჯდომარე
აკად. ანზორ ხელაშვილი

ინსტიტუტის სწავლული
მდივანი გელა დევიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის 2015 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის

ა ნ გ ა რ ი შ გ ე ბ ა

საკონტაქტო ინფორმაცია:
ორგანიზაცია: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
მისამართი: ქიქოძის ქ. № 14
ტელეფონი: 2996853; მობ. 551100705
ელ-ფოსტა: **economics_institute@yahoo.com, ramazabesadze@yahoo.com**

მეცნიერების დარგი: სოციალური მეცნიერებები
სამეცნიერო მიმართულება: ეკონომიკა
სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ემდ, პროფ. **რამაზ აბესაძე**
სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

1. **აბესაძე რამაზ** – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ემდ, პროფესორი
2. **არევაძე ნანული** – განყოფილების გამგე, აკად. დოქტორი
3. **ასათიანი როზეტა** – მეცნიერი კონსულტანტი, ემდ, პროფესორი
4. **ბერულავა გიორგი** – განყოფილების გამგე, ემდ, პროფესორი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
5. **ბიბილაშვილი ნანა** – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, აკად. დოქტორი
6. **ბრეგვაძე გიორგი** – მეცნიერი თანამშრომელი, აკად. დოქტორი
7. **ბურდული ვახტანგ** – განყოფილების გამგე, ემდ, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
8. **გოგოხია თემურ –** მეცნიერი თანამშრომელი
9. **დავლაშერიძე ნატალია** – მეცნიერი თანამშრომელი, აკად. დოქტორი
10. **დათუნაშვილი ლინა** – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, აკად. დოქტორი
11. **დვალიშვილი ლია** – მეცნიერი თანამშრომელი
12. **თაფლაძე თამარ** – მეცნიერი თანამშრომელი
13. **თეთრაული ციცინო** – მეცნიერი თანამშრომელი
14. **კაკულია ეთერ** – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, აკად. დოქტორი
15. **კვარაცხელია მურმან** – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემდ, პროფესორი
16. **კურატაშვილი ალფრედ** – განყოფილების გამგე, ემდ, პროფესორი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
17. **ლაზარაშვილი თეა** – განყოფილების გამგე, აკად. დოქტორი
18. **მელაშვილი მედეა** – მეცნიერი თანამშრომელი
19. **ნათელაური იზა** – განყოფილების გამგე, აკად. დოქტორი
20. **ნოზაძე ზურაბ** – მეცნიერი თანამშრომელი
21. **პაპავა ვლადიმერ** – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, აკადემიკოსი
22. **რევიშვილი ზურაბ** – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, აკად. დოქტორი
23. **სარჩიმელია როლანდ** – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემდ, პროფესორი
24. **ქავთარაძე თენგიზ** – ლაბორატორიის გამგე, აკად. დოქტორი
25. **ქისტაური ნუნუ** – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, აკად. დოქტორი
26. **ქველაძე ქეთევან** – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, აკად. დოქტორი
27. **ქურდაძე თინათინ** – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, აკად. დოქტორი

28. **ჩხეიძე თინა** – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, პროფესორი
29. **ცუცქირიძე მარინე** – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, აკად. დოქტორი
30. **ხუსკივაძე მამუკა** – განყოფილების გამგე, აკად. დოქტორი
31. **ჯავახიშვილი რევაზი** – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, აკად. დოქტორი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	თემის დასახელება იხილეთ ქვემოთ **მეცნიერების დარგი:** სოციალური მეცნიერებები **სამეცნიერო მიმართულება:** ეკონომიკა	ემდ, პროფ. **რამაზ აბესაძე**	ყველა სამეცნიერო განყოფილება და მეცნიერი თანამშრომელი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები

2015 წელს შესრულდა ინსტიტუტის შვიდწლიანი (2015-2021წწ.) სამეცნიერო პროგრამის (**„ევროინტეგრაცია და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების პრობლემები საქართველოში“**) პირველი გარდამავალი თემა:

ევროინტეგრაციის მოთხოვნები ეკონომიკის სფეროში და საქართველოს ეკონომიკაში არსებული მდგომარეობა

თემის შესასრულებლად, სამოქმედო გეგმის შესაბამისად, გამოყენებულ იქნა ინსტიტუტში წინა წლებში შესრულებული სამუშაოები (ძირითადად, საქართველოს ეკონომიკაში არსებული მდგომარეობის შესახებ) და მოხდა მათი განახლება და გაძლიერება ევროკავშირის მოთხოვნებისა და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების თეორიულ პრობლემათა გათვალისწინებით.

კვლევის ძირითადი შედეგები: გამოკვლეულია პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკის განვითარების კანონზომიერებები და თავისებურებები ევროკავშირის მოთხოვნათა და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების თეორიულ პრობლემათა გათვალისწინებით. შეფასებულია მთლიანად საქართველოს ეკონომიკაში და მის ცალკეულ სფეროებში არსებული მდგომარეობა, გამოვლენილია დადებითი და უარყოფითი მხარეები და შემოთავაზებულია შესაბამისი წინადადებები და რეკომენდაციები საქართველოს ეკონომიკური (საერთო, დარგობრივი და რეგიონული) პოლიტიკის სრულყოფის მიმართულებით.
გადმოცემულია ევროინტეგრაციის მოთხოვნები ეკონომიკის სფეროში და ამ მიმართულებით არსებული გამოწვევები საქართველოს ეკონომიკაში. შემოთავაზებულია ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების ზოგადი მიმართულებები საქართველოში.

პრობლემა 1. საქართველოს ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია
(ეკონომიკური თეორიის განყოფილება, მაკროეკონომიკის განყოფილება)

თემები და შემსრულებლები:

1.1. ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის არსი და მისი თავისებურებები საქართ-

ველოში **(აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა)**

1.2. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ეტაპები და კანონზომიერებები საქართველოში **(პროფ. რამაზ აბესაძე)**

1.3. ინსტიტუციური გარდაქმნები და მისი შედეგები საქართველოში **(პროფ. როზეტა ასათიანი)**

1.4. „ახალი ადამიანის“ ჩამოყალიბება თანამედროვე მსოფლიოში **(პროფ. მურმან კვარაცხელია)**

კვლევის ძირითადი შედეგები:

1. დასაბუთებულია, რომ დღემდე არ არსებობს პოსტკომუნისტური ეკონომიკური ტრანსფორმაციის სპეციალური თეორია.
2. დასაბუთებულია, რომ პოსტკომუნისტურ საქართველოშიც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა დაიწყო რაიმე წინასწარ გააზრებული ეკონომიკური პროგრამის გარეშე, რის გამოც არაერთი შეცდომა იქნა დაშვებული პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის დროს.
3. განსაზღვრულია საქართველოში შოკური თერაპიის წარუმატებლობის მიზეზები.
4. გამოყოფილია საქართველოში პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ეტაპები და გამოკვლეულია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კანონზომიერებები.
5. გამოვლენილია საქართველოში რეფორმების დროს დაშვებული შეცდომები და ამით გამოწვეული ნაკლოვანებები, შემოთავაზებულია მათი აღმოფხვრის ძირითადი მიმართულებები და გზები.
6. გამოკვლეულია საქართველოს ეკონომიკაში ინსტიტუციური გარდაქმნების თავისებურებები და კანონზომიერებები, რომელიც, თავის მხრივ, ახალი ეკონომიკური სისტემის კონსტიტუციურ უზრუნველყოფასა და შესაბამის კანონთა სისტემის შექმნას გულისხმობდა. იგი მოითხოვდა ადმინისტრაციული სტრუქტურებისა და ფუნქციების ტრანსფორმაციას, სახელმწიფო მმართველობის რადიკალურ შეცვლას და საბაზრო პრინციპებთან მისადაგებას, სახელმწიფოს მართვის ახალი სტრუქტურების (სასამართლო სისტემა, ანტიმონოპოლიური სამსახური, ბუნებრივი მონოპოლიების მარეგულირებელი კომისიები, სახელმწიფო ქონების მართვის ორგანო, გარემოს დაცვის სტრუქტურა და ა.შ.) ჩამოყალიბებას, საკუთრების განსახელმწიფოებრიობას (რასაც თან ახლავს კერძო საკუთრების ინსტიტუტის დამკვიდრება), მეწარმეობის განვითარებას, მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის ხელშეწყობას, ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნას, ფერმერული მეურნეობის ჩამოყალიბებასა და ა.შ.
7. გამოთქმული და დასაბუთებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისათვის არ არის მიზანშეწონილი სახელმწიფო საკუთრების სრული ტრანსფორმაცია. ნაწილობრივი პრივატიზაციის, შერეული მეწარმეობის დასავლეთში აპრობირებული ფორმა საქართველოს ეკონომიკის განვითარების ორგანული ნაწილი უნდა გახდეს.
8. საქართველოში მეწარმეობის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორებიდან გამოყოფილია: მენეჯმენტის დაბალი დონე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის არარსებობა, ინვესტიციების სამართლებრივი დაცვის დაბალი ხარისხი, ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა, საგადასახადო კულტურისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის დაბალი დონე და ა.შ.
9. გამოკვლეულია „ინსტიტუციური მიბმის“ კონცეფცია და საქართველოს ეკონომიკის ამ კონცეფციასთან შესაბამისობის მდგომარეობა.
10. დასაბუთებულია, რომ თანამედროვე მსოფლიოში წარმოიშვა ადამიანის სრულიად განსხვავებული ტიპი – იძულებით გადაადგილებული პირი, რომელშიც გაერთიანებულია სრულიად განსხვავაბული “homo sapiens”-ი, ანუ “homo profukus”-ი და, რომ ასეთი ახალი ტიპის ადამიანი არა მხოლოდ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური რყევების შედეგია, არამედ მთელ მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური რყევების პირდაპირ შედეგს წარმოადგენს.

პრობლემა 2. მაკროეკონომიკური და სოციალური განვითარების პრობლემები

(მაკროეკონომიკის განყოფილება)

თემები და შემსრულებლები:

2.1. მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა ცვლილების დინამიკა საქართველოში **(რამაზ აბესაძე, ნანა ბიბილაშვილი, ციცინო თეთრაული)**

2.2. ცხოვრების დონე, სიღარიბე და უმუშევრობა საქართველოში **(რამაზ აბესაძე)**

2.3. გლობალიზაციის უმუშევრობაზე გავლენის ზოგიერთი ასპექტი **(რამაზ აბესაძე, ნანა ბიბილაშვილი)**

2.4. შრომითი მიგრაცია საქართველოში **(მურმან კვარაცხელია)**

2.5. ინფლაციის გამომწვევი მიზეზები და ანტიინფლაციური რეგულირება საქართველოში **(ციცინო თეთრაული)**

კვლევის ძირითადი შედეგები:

1. გამოკვლეულია საქართველოს ეკონომიკაში მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა დინამიკა, რამაც აჩვენა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში ეს მაჩვენებლები უმჯობესდება, მაგრამ არა იმ ტემპებით, რისი მიღწევაც შესაძლებელი იყო, ადგილი რომ არ ჰქონოდა შეცდომებს რეფორმების განხორციელების დროს. განსაკუთრებით ცუდი თანაფარდობა არსებობს ექსპორტისა და იმპორტის მოცულობათა შორის. წლების განმავლობაში უარყოფითი სავაჭრო სალდო ნეგატიურ გავლენას ახდენს ეკონომიკაზე, განსაკუთრებით სავალუტო კურსზე. საერთოდ, ნეგატიურმა სასტარტო პირობებმა და რეფორმების დროს დაშვებულმა შეცდომებმა დაღი დაასვა გარქმნების მთელ პერიოდს და, მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, რეფორმებამდელი დონეც კი ვერ იქნა მიღწეული.
2. დასაბუთებულია, რომ გლობალიზაცია გავლენას ახდენს ეკონომიკის ყველა სექტორზე, მათ შორის უმუშევრობაზე, რაც დამოკიდებულია მსოფლიო და ეროვნულ ეკონომიკებში არსებულ მდგომარეობაზე, ქვეყნის ინტეგრაციულ პროცესებში ჩართულობაზე.
3. დასაბუთებულია, რომ ამჟამად მიმდინარეობს გლობალური შრომის ბაზრის ფორმირების პროცესი და, საბოლოოდ, მასში ჩართული აღმოჩნდება ყველა ქვეყანა. ვალიფიციური შრომა იღებს გლობალურ ხასიათს. შრომა ხდება ინოვაციური, რაც გავლენას ახდენს ეროვნული შრომის ბაზარზე – სულ უფრო იზრდება მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებზე ფინანსების, მედიცინის, დაზღვევის, ტურიზმის, საინფორმაციო და სხვა პროგრესული ტექნოლოგიების სფეროებში.
4. გამოთქმულია მოსაზრება, რომ გლობალური შრომის ბაზარი განიცდის წინააღმდეგობებს, უპირველეს ყოვლისა, გლობალურ და ეროვნულ ინტერესთა სხვადასხვაობის, ეროვნული ბაზრების განვითარების სხვადასხვა დონის არსებობის, ძველსა და ახალს, მაღალ და დაბალკვალიფიციურ მუშაკთა შორის დაპირისპირებულობის, მისი სრულყოფილი რეგულირებისათვის საჭირო ორგანოების არარსებობის გამო და სხვ. ამიტომ მუდმივ ცვლილებასა და სრულყოფაში მყოფი ეროვნული და გლობალური შრომის ბაზრების ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელია ამ პროცესის საერთაშორისო რეგულირება, რათა მოხდეს ეროვნულ და გლობალურ ინტერესთა სრული თანხვედრა, არსებული წინააღმდეგობები ნეგატიური მოვლენებით რომ არ დასრულდეს.
5. გამოვლენილია ინფლაციის გამომწვევი მიზეზები და მისი განვითარების თავისებურებები საქრთველოში. შემოთავაზებულია მისი დარეგულირების გზები და ღონისძიებები.
6. გამოთქმულია მოსაზრება, რომ კუპონის გაუფასურების შემდეგ ინფლაციას საქართველოში რაიმე სერიოზული შედეგები არ მოჰყოლია.
7. გამოკვლეულია საერთაშორისო მიგრაციული კრიზისი მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ფონზე.
8. საქართველოში არსებული პროცესების გაანალიზების საფუძველზე შემოთავაზებულია უახლოეს პერსპექტივაში მიგრაციის სფეროში მოსალოდნელი ტენდენციები.

პრობლემა 3. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თეორიული და სტრუქტურული

პრობლემები (სექტორული და რეგიონული ეკონომიკის განყოფილება)

თემები და შემსრულებლები:

3.1 გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის პირობებში ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მოდელის ფორმირების თეორიული ასპექტები **(ემდ, ვახტანგ ბურდული)**

3.2. ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული პრობლემები **(ემდ, ვახტანგ ბურდული)**

კვლევის ძირითადი შედეგები:

1. გაშუქებული და დასაბუთებულია ცნებების – "ნეოინდუსტრიული განვითარება" და "ნეოინდუსტრიული ეკონომიკა" თანამედროვე არსი, დასახული და დასაბუთებულია ნეოინდუსტრიული განვითარების პირობებში კონკრეტული დარგების ტექნოლოგიური განვითარების გზები.
2. კრიტიკულად გამოკვლეულია ცნების "ინოვაციური ეკონომიკა" რამდენიმე თანამედროვე დეფინიცია და ამის საფუძველზე ფორმულირებულია ავტორისეული გაფართოებული დეფინიცია (სხვა განხილული დეფინიციების დადებითი მხარეების გათვალისწინებით).
3. გახსნილია საფინანსო ინსტიტუტებისა და ქსელური ურთიერთკავშირების თანამედროვე შინაარსი და განხორციელებულია მათი სისტემატიზაცია. ნაჩვენებია, რომ ეს ცნებები წარმოადგენს ქვეყნის ნეოინდუსტრიული ინოვაციური განვითარების მთავარ უპირობო ატრიბუტებს.
4. შემოთავაზებულია საქართველოს ეკონომიკის თვითკმარობის დონის ამაღლების, საქართველოს ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის გაუმჯობესების და სტრუქტურულ-დარგობრივი პოლიტიკისა და მისი ინსტრუმენტების სრულყოფის მიმართულებები იმ შესაძლებლობების გათვალისწინებით, რომლებსაც იძლევა საქართველოს ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ შეთანხმების დებულებები.
5. დასაბუთებულია, რომ სტრუქტურული ეფექტის ძირითადი შემფასებელი მაჩვენებლებია ეკონომიკის მთლიანად და სექტორების (დარგების ჯგუფების ჭრილში) თვითკმარობის დონეები.
6. გამოკვლეულია ეკონომიკის თვითკმარობის დონე გამსხვილებული დარგობრივი ჯგუფების ჭრილში და ამის საფუძველზე შემოთავაზებულია საქართველოს ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებები.
7. განსაზღვრულია საქართველოს სტრუქტურულ-დარგობრივი პოლიტიკისა და მისი ინსტრუმენტების სრულყოფის მიმართულებები იმ შესაძლებლობების გათვალისწინებით, რომლებსაც იძლევა საქართველოს ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ შეთანხმების დებულებები.

პრობლემა 4. სექტორული ეკონომიკის განვითარების პრობლემები

(სექტორული და რეგიონული ეკონომიკის განყოფილება)

თემები და შემსრულებლები:

4.1. მრეწველობის განვითარების პრობლემები საქართველოში **(ნანული არევაძე)**

4.2. საქართველოს ენერგეტიკა **(რამაზ აბესაძე)**

4.3. საქართველოს მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება **(ნანული არევაძე)**

4.4. საქართველოს ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა **(ნანული არევაძე)**

4.5. საქართველოს შავი და ფერადი მეტალურგია **(ნანული არევაძე)**

4.6. საქართველოს ხე-ტყის, ხისდამმუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა **(ნანული არევაძე)**

4.7. საქართველოს საშენი მასალების მრეწველობა **(ნანული არევაძე)**

4.8. საქართველოს მსუბუქი მრეწველობა **(ნანული არევაძე)**

4.9. საქართველოს კვების მრეწველობა **(ნანული. არევაძე)**

4.10. სამშენებლო სექტორის განვითარება საქართველოში **(გია ბრეგვაძე)**

4.11. მომსახურების სფეროს განვითარება საქართველოში **(ქეთევან ქველაძე, ნუნუ ქისტაური, მედიკო მელაშვილი)**

4.12. მეცნიერების ეკონომიკის პრობლემები საქართველოში **(როლანდ სარჩიმელია).**

კვლევის ძირითადი შედეგები:

1. დასაბუთებულია ქვეყნის მდგრადი განვითარების, თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების, დამოუკიდებლობის შენარჩუნების, მოსახლეობის მასობრივი დასაქმების, ეკონომიკური ზრდის, მოსახლეობის ცხოვრების დონის და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, სხვა დარგის განვითარების, სიმდიდრის დაგროვების, განვითარებული ქვეყნის რიგებში ჩადგომის, ინოვაციურ ეკონომიკაზე გადასვლის უზრუნველყოფის შეუძლებლობა მრეწველობის უახლეს ტექნიკურ და ტექნოლოგიურ დონეზე განვითარების გარეშე.
2. გამოვლენილია მრეწველობის განვითარებაში არსებული ძირითადი პრობლემები, განსაზღვრულია მისი განვითარების შესაძლებლობები და სავარაუდო ტენდენციები.
3. ამოვლენილია საქართველოს მრეწველობის განვითარებისათვის დამახასიათებელი ძირითადი ტენდენციები კრიზისამდელ, კრიზისის და კრიზისის შემდგომი პერიოდისათვის, განსაზღვრულია მრეწველობის როლი და ადგილი საქართველოს ეკონომიკაში და მისი განვითარების შესაძლო ტენდენციები მომავალში.
4. დადგენილია საქართველოს ელექტროენერგეტიკისა და სათბობი მრეწველობის განვითარების ტენდენციები, გამოვლენილია არსებული ნაკლოვანებები და მათი აღმოფხვრის გზები. განსაზღვრულია არატრადიციული ენერგორესურსების გამოყენების შესაძლებლობები.
5. გამოვლენილია საქართველოს ისეთი დარგების განვითარების კანონზომიერებები, როგორიცაა მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა, შავი და ფერადი მეტალურგია, საქართველოს ხე-ტყის, ხისდამმუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა, საშენი მასალების მრეწველობა, მსუბუქი მრეწველობა და კვების მრეწველობა, გამოვლენილია უარყოფითი მხარეები და მოცემულია მათი აღმოფხვრის გზები.
6. გამოვლენილია ბოლო წლებში საქართველოში მშენებლობის სექტორის განვითარების სპეციფიკა და თავისებურებანი. შესწავლილი და გაანალიზებულია ის პრობლემები, რომელიც ამ სფეროშია და დასახულია მათი გადაჭრის გზები.
7. გამოვლენილია საქართველოს მომსახურების სფეროს ისეთი დარგების განვითარების კანონზომიერებები, როგორიცაა ტურისტული მომსახურება, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, ინფრასტრუქტურული მომსახურება, განათლება, საინფორმაციო მომსახურება, დისტრიბუცია, საქმიანი მომსახურება, სასტუმროები და რესტორნები, გამოვლენილია უარყოფითი მხარეები და მოცემულია მათი აღმოფხვრის გზები.

8. გამოკვლეულია საქართველოში მეცნიერების სფეროში არსებული მდგომარეობა და დასახულია გზები მეცნიერების განვითარების მიმართულებით, მათ შორის, ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით

პრობლემა 5. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების რეგიონული პრობლემები

(სექტორული და რეგიონული ეკონომიკის განყოფილება)

თემები და შემსრულებლები:

5.1. ეკონომიკური განვითარების რეგიონული პრობლემები **(ემდ, ვახტანგ ბურდული)**

კვლევის ძირითადი შედეგები:

1. განხორციელებულია რიგი მაჩვენებლის მიხედვით რეგიონების მოსახლეობის კეთილდღეობისა და ეკონომიკური სიტუაციის (საქმიანობის სახეების ჭრილში) შედარებითი ეკონომიკური ანალიზი, რის შედაგად დადგენილია საქართველოს რეგიონების ჩამორჩენილობა შესაბამისი მაჩვენებლების მიხედვით რუსეთისა და უკრაინის მაჩვენებლებისაგან და, ასევე, ამ მაჩვენებლების სიდიდეების მიხედვით უთანაბრობა საქართველოს რეგიონებს შორის.
2. განვითარებული ქვეყნების გამოცდილებისა და ტრანსფორმაციული პერიოდის თავისებურებების გათვალისწინებით მოცემული და დასაბუთებულია რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების სტრატეგიის შემუშავებისა და ასეთი განვითარების კოორდინაციის და სტიმულირების სისტემების სრულყოფის გზები.
3. დასახულია საქართველოს რეგიონებში ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები.
4. ზოგიერთი განვითარებული და განვითარებადი ქვეყნის გამოცდილების გათვალისწინებით შემოთავაზებულია საქართველოში საჯარო მართვის დეცენტრალიზაციის გზები. ზოგიერთი განვითარებული და განვითარებადი ქვეყნის გამოცდილების გათვალისწინებით შემოთავაზებულია საქართველოში საჯარო მართვის დეცენტრალიზაციის გზები.

პრობლემა 6. ბიზნესის განვითარების პრობლემები საქართველოში

(ბიზნესის კვლევის განყოფილება)

თემები და შემსრულებლები:

6.1. ადამიანისეული კაპიტალის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ბიზნესის განვითარება საქართველოში **(გიორგი ბერულავა, თეიმურაზ გოგოხია)**

6.2. მცირე ბიზნესის განვითარების კანონზომიერებები საქართველოში **(ეთერ კაკულია)**

6.3. მცირე ბიზნესი – უმუშევრობის შემცირების ფაქტორი **(ეთერ კაკულია)**

6.4. სოციალური დაზღვევის ბიზნესის განვითარება საქართველოში **(ეთერ კაკულია)**

6.5. სახელმწიფო საწარმოების მართვის თავისებურებანი საქართველოში და მათი ეფექტიანობის ამაღლების გზები **(თეა ლაზარაშვილი)**

6.6. ბიზნესის ორგანიზაციული სისტემის განვითარება და მისი დარგობრივი ასპექტები **(მარინე ცუცქირიძე)**

კვლევის ძირითადი შედეგები:

1. დადგენილია საქართველოში ბიზნესის განვითარების კანონზომიერებები, წარმოებისა და მომსახურების სისტემის განვითარებაზე დასაქმების, ინოვაციური და სხვა ფაქტორების გავლენა.
2. გამოკვეთილია საქართველოში მცირე ბიზნესის ფორმირბისა და განვითარების კანონზომიერებები გამოვლენილია უარყოფითი და დადებითი მხარეები და შემოთავაზებულია შესაბამისი წინადადებები.
3. განვითარებული ქვეყნების მასალების ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია მცირე ბიზნესის როლი დასაქმებას ზრდასა და უმუშევრობის შემცირებაში, ნაჩვენებია ქვეყანაში ამ მიმართულებით არსებული პოტენციალი.
4. საქართველოში სოციალური დაზღვევის ბიზნესის განვითარების არსებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილია, იფორმაციული და ფინანსური ნაკადების მოძრაობის მექანიზმი.
5. განსაზღვრულია საქართველოში კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში ადამიანისეული კაპიტალის როლი.
6. გამოვლენილია ბიზნესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები.
7. შემუშავებულია რეკომენდაციები საქართველოში კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და ბიზნესის განვითარების შესახებ.
8. დადგენილია, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა: საწარმოთა შტატები არის გაბერილი, არ ფუნქციონირებს მაკონტროლებელი სისტემა, სახელმწიფო სახსრები არამიზნობრივად და არაეფექტიანად იხარჯება, არ მოქმედებს კონტროლის მექანიზმი, არ არის შემუშავებული სახელმწიფო საწარმოთა დაარსებისათვის საჭირო კრიტერიუმები, არ არის გამიჯნული ფუნქციები სამინისტროებსა და საწარმოს მმართველ ორგანოებს შორის და სხვ.
9. შემოთავაზებულია სახელმწიფო საწარმოთა მართვის დუალისტური მოდელი.

პრობლემა 7. საფინანსო სისტემის პრობლემები საქართველოში

თემები და შემსრულებლები:

7.1. საფინანსო სისტემის თავისებურებანი საქართველოში **(თეა ლაზარაშვილი, მედეა მელაშვილი)**

7.2. საგადასახადო სისტემის სრულყოფის საკითხისათვის **(თინათინ ქურდაძე)**

7.3. საქართველოს საბიუჯეტო სისტემის განვითარება საქართველოში **(მედეა მელაშვილი, ნუნუ ქისტაური)**

7.4. მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფუნდამენტური ფაქტორები **(გიორგი სიგუა)**

კვლევის ძირითადი შედეგები:

1. გამოვლენილია საქართველოში საფინანსო სისტემის შემადგენელი ინფრასტრუქტურის – საბანკო სისტემის, ფასიანი ქაღალდების ბაზრის, საპენსიო და სადაზღვევო სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარების კანონზომიერებები. გამოვლენილია დადებითი და უარყოფითი მხარეები და დასახულია უარყოფით მხარეთა აღმოფხვრის გზები.
2. დადგენილია საქართველოში საგადასახადო სისტემის განვითარების კანონზომიერებები. დასახულია მისი გაუმჯობესების გზები.
3. საბიუჯეტო პოლიტიკა განხილულია, როგორც სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ძი-

რითადი რგოლი, რომლის სწორად წარმართვაზე დიდადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და ამით მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, განხილულია ბიუჯეტის ძირითადი ამოცანები, ფუნქციები, პრინციპები და სრულყოფის გზები.

4. გამოკვლეულია მსოფლიო ფინანსური კრიზისის გამომწვევი მიზეზები და ფაქტორები

პრობლემა 8. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები და გლობალიზაცია

(საერთაშორისო-ეკონომიკურ ურთიერთობათა განყოფილება)

თემები:

8.1 საქართველოს საგარეო ვაჭრობა საგადასახდელო ბალანსების სისტემაში **(იზა ნათელაური, თამარ თაფლაძე)**

8.2. საქართველოს საგარეო ვაჭრობის შესაძლებლობები **(როლანდ სარჩიმელია)**

8.3. გლობალიზაცია და მისი გავლენა ეროვნულ ეკონომიკებზე **(რამაზ აბესაძე)**

კვლევის ძირითადი შედეგები:

1. საქართველოს საგადასახდელო ბალანსების ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოვლენილი და შეფასებულია ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ცვლილების ტენდენციები საქონლის სახეობებისა და პარტნიორი ქვეყნების ჭრილში, შემოთავაზებულია საგარეო ვაჭრობის გაძლიერების გზები.
2. გამოკვლეული და შემოთავაზებულია წინადადებები საქართველოს ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ფორმირებასთან დაკავშირებით, რომელთა გაუთვალისწინებლობა საგარეო ვაჭრობაში ეკონომიკაში ბარიერებს ქმნის და ზარალს იწვევს.
3. განსაზღვრულია პოსტსაბჭოთა საქართველოს ევროკავშირში შეღწევის შესაძლებლობები და საგარეო ვაჭრობის ეკონომიკური ეფექტიანობა გლობალიზაციის პირობებში.
4. დასმულია წრფივი დაპროგრამების ახალი ამოცანა და წარმოდგენილია შესაბამისი მოდელი, რომელიც საგარეო ვაჭრობის შესაძლებლობის გაფართოებას ეხება.
5. დადგენილია გლობალიზაციის ეროვნულ ეკონომიკებზე გავლენის სფეროები, გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოს ზოგიერთი ფუნქცია იზღუდება, მაგრამ იგი იძენს უფრო დიდ, საერთაშორისო ფუნქციას, რომელიც მიმართული უნდა იყოს გლობალიზაციის ნეგატიური ზემოქმედების განეიტრალებისაკენ, დახმარებების ეფექტიანი გამოყენების, კონკურენტუნარიანობის ამაღლების, საუკეთესო ეროვნული ტრადიციების შენარჩუნებისა და მისი შემდგომი სრულყოფისაკენ

პრობლემა 9. სოფლის ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში

(აგრარულ პრობლემათა ლაბორატორია)

თემები:

9.1. სოფლის ეკონომიკის ტრანსფორმირება საქართველოში **(ზურაბ რევიშვილი)**

9.2. სოციალური მდგომარეობა სოფლად **(ზურაბ რევიშვილი)**

9.3. სოფლის ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პრობლემები **(ზურაბ რევიშვილი)**

9.4. სტრუქტურული ცვლილებები საქართველოს სოფლის მეურნეობაში **(ლინა დათუნაშვილი)**

9.5. სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგების განვითარების პრობლემები **(ლინა დათუნაშვილი)**

9.6. ფასწარმოქმნისა და რენტაბელობის პრობლემები მეცხოველეობაში **(თენგიზ ქავთარაძე)**

კვლევის ძირითადი შედეგები:

1. გამოყოფილია სოფლის რეფორმირების ოთხი პერიოდი, მოცემულია მათი დახასიათება, გამახვილებულია ყურადღება რეფორმირების დადებით და უარყოფით შედეგებზე.
2. გამოვლენილია სასოფლო-სამეურნეო მიწების განკერძოებისა და განაწილების პროცესის უარყოფითი შედეგები. დადგენილია უცხოელებსა და უცხოურ იურიდიულ პირებზე სავარგულების მიყიდვასთან დაკავშირებული არსებული სამართლებრივი და ფაქტობრივი მდგომარეობა.
3. გამოვლენილია სასოფლო დასახლებული პუნქტების ტიპების და მათში მოსახლეობის ცვლილებათა კანონზომიერებანი, მთლიანად სოფლის განვითარების ტენდენცია. განვითარებულია მოსაზრებები, რომელთა გათვალისწინება ხელს შეუწყობს რეფორმირების დროს დაშვებული შეცდომების გამოსწორებას, მცირე და საშუალო სასოფლო დასახლებების მდგრად განვითარებას.
4. გამოვლენილია საქართველოს სოფლის მძიმე სოციალური მდგომარეობის: სიღარიბის, არასრული დასაქმებისა და ფარული უმუშევრობის, სოციალური უზრუნველყოფის დაბალი დონის მიზეზები. ყურადღება გამახვილებულია სიღარიბის კვლევის რიგ მეთოდოლოგიურ საკითხებზე, რომელთა სრულყოფაც გააუმჯობესებს სიღარიბის მახასიათებლების შესადარისობას და სწორ ანალიზს დინამიკაში.
5. ნაჩვენებია ქალაქთან შედარებით სოფლის სიღარიბის მაღალი დონე, სიღარიბის მეტი სიღრმე და მეტი სიმწვავე; ქალაქისა და სოფლის შინამეურნეობების შემოსავლებისა და მოხმარების დონეებისა და სტრუქტურების მკვეთრი განსხვავებანი.
6. ყურადღება გამახვილებულია სოფლად არასრული დასაქმებისა და ფარული უმუშევრობის კვლევის მეთოდოლოგიურ საკითხებზე, ასევე სოფლად ფაქტობრივი დასაქმების გადიდებისა და უმუშევრობის შემცირების აქტუალურ საკითხებზე.
7. განვითარებულია მოსაზრება სოფლის მეურნეობისა და სოფლის ეკონომიკურ პრობლემათა დაძლევაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობისა. გაშუქებულია სოფლის მეურნეობის სახელმწიფოებრივი რეგულირების ზოგიერთი საერთაშორისო გამოცდილება, ნაჩვენებია ამ რეგულირების სხვადასხვა ფორმები და მეთოდები. შემოთავაზებულია სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო ჩარევის მიზნები და ინსტრუმენტები.
8. შემოთავაზებულია საქართველოს სოფლის მეურნეობაში სამთავრობო ინტერვენციის უმნიშვნელოვანესი მიმართულებები და პრიორიტეტები. განვითარებულია პოზიცია საქართველოში ერთიანი განსახლებითი სისტემების – „ქალაქი-სოფელი“, „მუნიციპალიტეტის ცენტრი-სოფელი“ ფორმირების სახელმწიფო ხელშეწყობის თაობაზე.
9. გამოკვლეულია არსებული მდგომარეობა საქართველოს სასოფლო წარმოების ისეთ დარგებში, როგორიცაა: მეცხოველეობა, მეხილეობა, მეციტრუსეობა, მეჩაიეობა, მევენახეობა, ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების წარმოება. გამოვლენილია დადებითი და უარყოფითი მხარეები და შემოთავაზებულია წინადადებები და დასახულია ღონისძიებები სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების მიმართულებით.
10. შემოთავაზებულია წინადადებები საქართველოს სოფლის მეურნეობაში ფასწარმოქმნისა და სახელმწიფო შესყიდვების გაუმჯობესების მიმართულებით.

პრობლემა 10. მდგრადი განვითარების ეკონომიკური პრობლემები საქართველოში

(ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის განყოფილება)

თემები და შემსრულებლები:

10.1. მდგრადი განვითარების არსებული მდგომარეობა საქართველოში **(მამუკა ხუსკივაძე, ზურაბ ნოზაძე)**

10.2 ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და დაცვის ეკონომიკური პრობლემები საქართველოში **(თინა ჩხეიძე)**

10.3. ატმოსფეროს დაცვა – ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოსდაცვითი პრობლემა საქართველოში **(ლია დვალიშვილი)**

კვლევის ძირითადი შედეგები:

1. შეფასებულია საქართველოში მდგრადი განვითარების არსებული მდგომარეობა ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ-ინსტიტუციურ ასპექტებში საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული კრიტერიუმების მიხედვით.
2. გამოვლენილია საქართველოში პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში ეკოლოგიური პრობლემების წარმოშობის მიზეზები.
3. გამოკვლეულია მდგრადი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი აქტუალური პრობლემის – მიწის რესურსების ოპტიმალურად გამოყენების მდგომარეობა საქართველოში.
4. გამოვლენილია საქართველოში სახნავი მიწების ფართობის შემცირების მიზეზები, კერძოდ: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გამოყენება არასასოფლო დანიშნულების მიწებად; მიწის ეროზია და დამლაშება; მიწების გაუდაბნოება; მიწების დეგრადაცია და სხვ.

პრობლემა 11. ევროინტეგრაციისა და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების თეორიული პრობლემები და საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები

(ეკონომიკური თეორიის განყოფილება)

თემები და შემსრულებლები:

11.1. ევროინტეგრაციის თეორიული პრობლემები **(ალფრედ კურატაშვილი)**

11.2. ევროინტეგრაციის მოთხოვნები და საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები **(რევაზ ჯავახიშვილი)**

11.3. ევროკავშირის ინოვაციური განვითარების ინდიკატორები და მაჩვენებლები **(ნატა დავლაშერიძე)**

14.4. ინოვაციები და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების ზოგადი მიმართულებები საქართველოში **(რამაზ აბესაძე)**

კვლევის ძირითადი შედეგები:

1. ევროინტეგრაციის პროცესი განხილულია თეორიულ ჭრილში. ევროინტეგრაციის თეორიული პრობლემების კვლევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აქტუალურია თანამედროვე პირობებში. მიჩნეულია, რომ ევროკავშირში ინტეგრაციის სტრატეგიულ მიზნად გამოცხადება სერიოზულ შეცდომას წარმოადგენს, რადგან ევროინტეგრაცია უნდა იყოს არა მიზანი, არამედ ის უნდა განიხილებოდეს მხოლოდ როგორც ადამიანის – ხალხის – ინტერესების რეალიზაციის აუცილებელი საშუალება.
2. გამოთქმულია მოსაზრება, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით განისაზღვრება ახალი დიდი გამოწვევები და ამოცანები ქვეყნის ეკონომიკისა და მისი ცალკეული დარგების დაჩქარებული განვითარების მიმართულებით. აქედან გამომდინარე, განსაზღვრულია საქართველოს როგორც მაკროეკონომიკური, ისე ეკონომიკის ცალკეული დარგებისა და სფეროების წინაშე მდგარი გამოწვევები.
3. ასოცირების მოთხოვნებიდან გამომდინარე, გამოკვლეულია ქვეყნის ეკონომიკის რეფორმირების, საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის სრულყოფისა და ევროკავშირის

კანონმდებლობასთან, სტანდარტებსა და რეგულაციებთან მათი ეტაპობრივი დაახლოების საკითხები.

4. გამოკვლეულია ევროკავშირის ინოვაციური განვითარების ინდიკატორები და მაჩვენებლები, რომელთა საშუალებითაც ევროკავშირის ქვეყნებს შეუძლიათ, შეაფასონ ინოვაციური საქმიანობა ძირითად კონკურენტებთან – აშშ-თან და იაპონიასთან შედარებით, და გამოავლინონ საუკეთესო გამოცდილება.
5. გამოვლენილია ინოვაციური სისტემისა და პოლიტიკის არსებული მდგომარეობა და შემოთავაზებულია ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების ზოგადი მიმართულებები საქართველოში.

პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ასათიანი როზეტა	XX საუკუნის მსოფლიო ეკონომიკის კონცეპტუალური ანალიზი და საქართველოს ეკონომიკური პორტრეტი.	თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2015.	140
2	პაპავა ვლადიმერი, თაფლაძე თამარი, გეგეშიძე არჩილი	საქართველოს ეკონომიკა: რეფორმები და ფსევდორეფორმები	თბილისი, “ინტელექტი”	210
3	ჩხეიძე თინა, ქველაძე ქეთინო	მიწის რესურსის და მიწათსარგებლობის აქტუალური საკითხები საქართველოში.	შპს. „ვექტორი 2009“-ის გამომცემლობა. თბილისი 2015.	211

ანოტაციები ქართულ ენაზე

ვ. პაპავა, თ. თაფლაძე, ა. გეგეშიძე. ნაშრომში განხილულია იმ ეკონომიკური რეფორმების არსი, რომლებიც საქართველოს ეკონომიკაში ქვეყნის მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან მოყოლებული დღემდე იქნა გატარებული. გაანალიზებულია საქართველოს ეკონომიკის რეფორმირების როგორც მიღწევები, ისე ამ პროცესში დაშვებული შეცდომებიც. გამოკვეთილია უახლოეს მომავალში საქართველოში გასატარებელი ეკნომიკური რეფორმების მაგისტრალური გზა. წიგნი განკუთვნილია მეცნიერ-ეკონომისტებისათვის, ეკონომიკური პროფილის უმაღლესი სასწავლებლებისა და ეკონომიკის ფაკულტეტების სტუდენტებისათვისა და პროფესორებისათვის, აგრეთვე საქართველოს ეკონომიკის აქტუალური პრობლემებით დაინტერესებულ მკითხველთა იმ ფართო წრისათვის.

თ. ჩხეიძე, ქ. ქველაძე. წიგნში მიწა განხილულია, როგორც ბუნებრივი რესურსი, ქვეყნის სიმდიდრე და სახელმწიფოს საფუძველი, რომელსაც მოვლა და გაფრთხილება ესაჭიროება. ნაჩვენებია რომ მიწის ოპტიმალურ გამოყენებაზეა დამოკიდებული მოსახლეობის, როგორც სასურსათო უსაფრთხოება, ისე სიღარიბე და შიმშილი.

წიგნში ასევე განხილულია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქვეყანაში გატარებული აგრარული რეფორმის შედეგი ორი ათეული წლის გადასახედიდან.
ნაშრომი გათვალისწინებულია მკითხველთა ფართო წრისათვის. მიგვაჩნია, რომ ის დააინტერესებს ყველას, ვისთვისაც ძვირფასია მშობლიური მიწა და ქვეყნის მომავალი.

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	რამაზ აბესაძე	ეკონომიკური განვითარება	თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი, 2015.	227

ანოტაციები ქართულ ენაზე

რ. აბესაძე. წიგნი წარმოადგენს სახელმძღვანელოს სტუდენტებისათვის, რომლებიც შეისწავლიან დისციპლინას – „ეკონომიკური განვითარება“.

წიგნი განკუთვნილია ასევე მეცნიერ-ეკონომისტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მთავარი რედაქტორი – ემდ, პროფ. რამაზ აბესაძე	აკად. პ. გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული – „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“.	თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი, 2015.	590
2	მთავარი რედაქტორი – ემდ, პროფ. რამაზ აბესაძე	თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტომი VIII.	„—“	

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. კრებულში ქვეყნდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებების მასალები თემაზე „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“. კრებული განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის და დახმარებას გაუწევს არა მხოლოდ სპეციალისტებს, არამედ ეკონომიკის საკითხებით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს.
2. “ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულში” ქვეყნდება ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა და საქართველოს მეცნიერ-ეკონომისტთა ნაშრომები, რომლებიც ეძღვნება თანამედროვე აქტუალურ ეკონომიკურ პრობლემებს. კრებული განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის და დახმარებას გაუწევს არა მხოლოდ სპეციალისტებს, არამედ ეკონომიკის საკითხებით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს.

ენციკლოპედია

№	ავტორი/ავტორები	ენციკლოპედიის დასახელება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ასათიანი როზეტა	თანამედროვე ეკონომიკის მცირე ენციკლოპედია	თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2015.	40,0

სტატიები

№	**ავტორი/ ავტორები**	**სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება**	**№**	**გამოცემის ადგილი, გამომცემლობა**	**გვერდების რაოდენობა**
1	აბესაძე რამაზი	მდგრადი განვითარების ეკონომიკური ასპექტები. აკად. პ. გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნ. კონფერენციის მასალების კრებული. „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“.		თბილისი, თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა	8
2	აბესაძე რამაზი	თანამედროვე ტექნოლოგიები და ეკონომიკური განვითარება. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული „თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში“.		„უნივერსიტეტის გამომცემლობა“. თბილისი 2015.	
3	აბესაძე რამაზი	ინოვაციები და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების ზოგადი მიმართულებები საქართველოში. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული.	VIII	თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი, 2015.	
4	არევაძე ნანული	საქართველოს მრეწველობა. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული.	VIII	თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი, 2015.	16
5	არევაძე ნანული	შავი და ფერადი მეტალურგიის მრეწველობის განვითარების ზოგიერთი ასპექტი საქართველოში. აკად. პ. გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნ. კონფერენციის მასალების კრებული. „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“.		„––“	6
6	არევაძე ნანული	საქართველოს კვების მრეწველობა. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული.	VIII	„––“	6

7	არევაძე ნანული	მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება საქართველოში. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული.	VIII	„––“	7
8	არევაძე ნანული	საქართველოს ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული.	VIII	„––“	5
9	არევაძე ნანული	შავი და ფერადი მეტალურგია საქართველოში. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული.	VIII	„––“	
10	არევაძე ნანული	საქართველოს ხე-ტყის, ხისდამმუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული.	VIII	„––“	5
11	არევაძე ნანული	საშენი მასალების მრეწველობა საქართველოში. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული.	VIII	„––“	
12	არევაძე ნანული	საქართველოს მსუბუქი მრეწველობა. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული.	VIII	„––“	7
13	ასათიანი როზეტა	საკურორტო-ტურისტული ინდუსტრიის განვითარების თავისებურებები საქართველოში. აკად. პ. გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნ. კონფერენციის მასალების კრებული. „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“.		„––“	0,9
14	ბერულავა გია	სამრეწველო საწარმოების საექსპორტო საქმიანობაში მომსახურების დარგთა ლიბერალიზაციის როლის შესახებ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების მაგალითზე. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, 2015.	შრომები, XII ტ.	თბილისი, უნივერსალი	18
15	ბერულავა გია, გოგოხია თემური	ადამიანისეული კაპიტალის კონკურენტ-უნარიანობის ამაღლება და ბიზნესის განვითარება საქართველოში. თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული.	VIII	თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი, 2015.	12
16	ბერულავა გია	ნდობაზე აგებული ურთიერთობები და ფირმის საქმიანობა გარდამავალი ეკონომიკების მაგალითზე. აკად. პ. გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნ. კონფერენციის მასალების კრებული. „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“.		„––“	4

17	ბრეგვაძე გია	სამშენებლო სექტორის განვითარება საქართველოში. თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული.	VIII	„––“	7
18	ბრეგვაძე გია	ინვესტიციები სამშენებლო სექტორში. აკად. პ. გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფ. მასალების კრებული „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“.		„––“	
19	ბურდული ვახტანგი	გლობალიზაციის და რეგიონალიზაციის პირობებში ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მოდელის ფორმირების თეორიული ასპექტები. – თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული.	VIII	„––“	1,55
20	ბურდული ვახტანგი	ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული პრობლემები. – თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული.	VIII	„––“	2,60
21	ბურდული ვახტანგი	რეგიონული განვითარების პრობლემები. – თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული.	VIII	„––“	3,62
22	ბურდული ვახტანგი	Структурно-отраслевой анализ уровня самодостаточности экономики Грузии и общие направления формирования прогрессивной отраслевой структуры. აკად. პ. გუგუშვილის 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული: „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები.“		„––“	1,04
23	გოგოხია თემური	ტექნოლოგიური და მარკეტინგული ინოვაციები ფირმის ეფექტიანობის ამაღლებაში. აკად. პ. გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფ. მასალების კრებული „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“.		„––“	
24	გოგოხია თემური	ტექნოლოგიური და მარკეტინგული ინოვაციების დანერგვის სტიმულები და ბარიერები. საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი “ეკონომისტი”.	№5	„––“	
25	დავლაშერიძე ნატა	ЛАУРЕАТ НОБЕЛЕВСКОЙ ПРЕМИИ ПО ЭКОНОМИКЕ САЙМОН КУЗНЕЦ ОБ АКТУАЛЬНЫХ ПРОБЛЕМАХ УСТОЙЧИВОГО РАЗВИТИЯ НАЦИОНАЛЬНОЙ ЭКОНОМИКИ. აკად. პ. გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფ. მასალების კრებული „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“.		„––“	4
26	დავლაშერიძე ნატა	ევროკავშირის ინოვაციური განვითარების ინდიკატორები და მაჩვენებლები. თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის	VIII	„––“	11

		ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული.			
27	დათუნაშვილი ლინა	სტრუქტურული ცვლილებები საქართველოს სოფლის მეურნეობაში. თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული.	VIII	„––“	7
28	დათუნაშვილი ლინა	მეცნიერულობის განვითარების გზები საქართველოში. თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული.	VIII	„––“	8
29	დათუნაშვილი ლინა	მეჩაიეობაში კრიზისის დაძლევისა და დარგის შემდგომი განვითარების შესაძლებლობები. თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული.	VIII	„––“	7
30	დათუნაშვილი ლინა	მევენახეობაში არსებული მდგომარეობა და დარგის განვითარების გზები საქართველოში. თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული.	VIII	„––“	6
31	დათუნაშვილი ლინა	მეცხოველეობაში არსებული მდგომარეობა და განვითარების შესაძლებლობები. თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული.	VIII	„––“	9
32	დათუნაშვილი ლინა	მეაბრეშუმეობის განვითარების ისტორიის ზოგიერთი საკითხი საქართველოში. აკად. პ. გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნ. კონფერენციის მასალების კრებული. „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“.		„––“	9
33	დვალიშვილი ლია	ატმოსფეროს დაცვა – ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოსდაცვითი პრობლემა საქართველოში. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომის კრებული.	VIII	„––“	10
34	დვალიშვილი ლია	ატმოსფეროს დაცვის საკითხები საქართველოში. აკად. პ. გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნ. კონფერენციის მასალების კრებული. „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“.		„––“	
35	თეთრაული ციცინო	ინფლაციის გამომწვევი მიზეზები და ანტიინფლაციური რეგულირება საქართველოში. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომის კრებული.	VIII	„––“	7
36	თეთრაული ციცინო	სახელმწიფო და მისი ეკონომიკური ფუნქციები. აკად. პ. გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნ. კონფერენციის მასალების კრებული. „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“.		„––“	
37	კაკულია ეთერი	მცირე ბიზნესი – უმუშევრობის შემცირების ფაქტორი. აკად. პ. გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნ. კონფერენციის მასალების კრებული. „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“.		„––“	7
38	კაკულია	მცირე ბიზნესის განვითა რების		„––“	

	ეოერი	კანონზომიერებები. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომის კრებული.			
39	კაკულია ეოერი, ჩიქოვანი ელენე	სოციალური დაზღვევის ბიზნესის განვითარება საქართველოში. IV სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია „ბიზნესის განვითარების პრობლემები გლობალური ეკონომიკის პირობებში“.		თბილისი, 14-15 მაისი საქართველოს ბიზნესის აკადემია,	11
40	კვარაცხელია მურმანი	ეკონომიკური აზრის განვითარება და საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება საქართველოში. აკად. პ. გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფ. მასალების კრებული „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“.		თბილისი, თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომ-ცემლობა	7
41	კვარაცხელია მურმანი	ახალი პიროვნების ჩამოყალიბება თანამედროვე მსოფლიოში. თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული.	VIII	„––“	8
42	კვარაცხელია მურმანი	მოსახლეობის მიგრაციის პრობლემები საქართველოში. თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული.	VIII	„––“	11
43	კურატაშვილი ალფრედი	ევროინტეგრაციის თეორიული პრობლემები. თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული.	VIII	„––“	0,75 ნ. თ.
44	კურატაშვილი ალფრედი	მსოფლიო ჩემპიონატი მეცნიერულ შემოქმედებაში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფეროში – ხალხის ინტერესებისათვის ეფექტიანი სახელ-მწიფო მართვის აუცილებელი წინაპირობა. სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. საერთ. სამეცნ. ჟურნ. „იურისპრუდენციის პრობლემები”	№ 1-2.	თბილისი, საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“	2,0 ნ.თ.
45	კურატაშვილი ალფრედი	სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და დოქტორანტების მომზადების სამართლებრივი პრობლემები (?!). *საზოგადოებრივი მეცნიერებები ღრმა კრიზისშია არაკომპეტენტური პირების ბატონობისა და მეცნიერების სფეროში დანაშაულებრივი ბიუროკრატიული “მეთოდების” გამოყენების გამო* (?!) საერთ. სამეცნ. ჟურნ. „იურისპრუდენციის პრობლემები”	№ 1-2.	თბილისი, საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“	2,0 ნ.თ.
46	კურატაშვილი ალფრედი	ყოველი ადამიანის ინტერესებისათვის ეკონომიკის, საზოგადოების, სახელმწიფოს და კაცობრიობის პროგრესული განვითარების კარდინალურად ახალი თეორიული საფუძვლები. აკად. პ. გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე		თბილისი, თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის	1,8 ნ.თ.

		წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფ. მასალების კრებული „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“.		ინსტიტუტის გამომ-ცემლობა	
47	კურატაშვი ლი ალფრედი	ჩინეთის პოლიტიკური სისტემა – ეს არის არა კაპიტალიზმი, არამედ ადმინისტრაციულ-საბაზრო სოციალიზმი, რომელიც მიდის ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობის გზით!!! საერთ. სამეცნ. ჟურნ. „იურისპრუდენციის პრობლემები”.	№ 3-4	თბილისი, საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“	2,5 ნ.თ.
48	კურატაშვი ლი ალფრედი	სახელმწიფოში ხალხის გენოციდის შენიღბული ფორმით “დაკანონება” – ადამიანურობის წინააღ-მდეგ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულია (?!). საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „პროგრესი“, 2015, №5-6. სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემია.	№5-6	თბილისი, საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“	0,75 ნ.თ.
49	კურატაშვი ლი ალფრედი	კომერციული ბანკებისა და სხვა საფინანსო ორგანიზაციების თაღლითური ხერხებით ადამიანებზე “ნადირობა” – შენიღბული ფორმით ხალხის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებ-რივი ქმედებაა, მაგრამ... (?!). სახელმწიფო მართვა: პრობლემები და პერსპექტივები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები.		თბილისი, საერთაშორი სო გამომცემლო ბა “პროგრესი”	0,5 ნ.თ.
50	ლაზარაშვი ლი თეა, მელაშვილი მედეა	სახელმწიფო საწარმოების მართვის თავისებურებანი საქართველოში და ეფექტიანო-ბის ამაღლების გზები. თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული.	VIII	თბილისი, თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომ-ცემლობა	16
51	ლაზარაშვი ლი თეა, ბიბილაშვი ლი ნანა	ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბებისა და განვითარების თავისებურებანი საქართველოში. აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალე-ბის კრებული.		„—“	6
52	მელაშვილი მედეა, ქისტაური ნუნუ	საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მდგომარე-ობის ანალიზი პოსტსაბჭოურ პერიოდში. თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული.	VIII	„—“	
53	მელაშვილი მედეა, ქისტაური ნუნუ	საგადამხდელო ბალანსის რეგულირების კონცეფციები, მოდელები და მისი თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში. აკად. პ. გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფ. მასალების კრებული „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითა-რების აქტუალური პრობლემები“.		„—“	9
54	მელაშვილი მედეა, ქისტაური ნუნუ, ქველაძე	საინფორმაციო გარემოს განვითარების ასპექტები საქართველოს ეროვნულ ეკონომიკაში. აკად. პ. გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქ-ტიკული კონფ. მასალების კრებული „ეროვნული		„—“	8

	ქეთინო	ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“.			
55	ნათელაური იზა, თაფლაძე თამარი	საქართველოს საგარეო ვაჭრობის ადგილი და როლი საგადასახდელო ბალანსების სისტემაში 1994-2002 წლებში. თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული.	VIII	„––“	7
56	ნათელაური იზა	საქართველოს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ. ჟ. „ეკონომისტი“.	№1	„––“	
57	ნათელაური იზა	უცხოეთიდან მიღებული დახმარებები და გრანტები 1994-2002 წლების საქართველოში. აკად. პ. გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფ. მასალების კრებული „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“.		„––“	
58	ნათელაური იზა	თაფლი და სანთელი VIII სამეცნიერო კონფერენციის „ქრისტიანობა და ეკონომიკა“ მოხსენებათა კრებული.		ბათუმი, 2015	7
59	ნათელაური იზა	საგადასახდელო ბალანსები და ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების აქტუალური პრობლემები საქართველოში. ჟურნალი „ეკონომისტი“.	№5	თბილისი, თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა	
60	ნოზაძე ზურაბი	წყლის რესურსების გაჭუჭყიანებითა და არარაციონალური გამოყენებით მიყენებული ეკონომიკური ზარალის შეფასება. აკად. პ. გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფ. მასალების კრებული „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“.		„––“	6
61	პაპავა ვლადიმერი, თაფლაძე თამარი	ლიბერტარიანიზმის ქართული მოდელი. აკად. პ. გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფ. მასალების კრებული „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“.		„––“	0,4 ნ.თ.
62	პაპავა ვლადიმერი	საქართველოს ეკონომიკური განვითარების ევროპული ვექტორის შესახებ. კრებულში „საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესის მასალები I“		თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია.	0,1 ნ.თ.
63	პაპავა ვლადიმერი, თ. თაფლაძე	Pseudo-Libertarianism in Post-Revolutionary Georgia. (ფსევდოლიბერტარიანიზმი პოსტრევოლუციურ საქართველოში), ინგლისურ ენაზე, ჟურნალში – “Bulletin of the Georgian National Academy of Sciences” (“საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული	ტომი 9, №2	თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა	0,4 ნ.თ.

		აკადემიის მოამბე")		ეროვნული აკადემია.	
64	რევიშვილი ზურა	საქართველოს აგრარული განვითარებისა და პოლიტიკის თეორიული საკითხები. აკად. პ. გუგუშვილის დაბ.-დან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთ. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფ. მასალების კრებული „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვით.-ის აქტუალური პრობლემები".		თბილისი, თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა	6
65	რევიშვილი ზურა	სოფლის ეკონომიკის ტრანსფორმირება. თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული.	VIII	„–"	33
66	რევიშვილი ზურა	სოციალური მდგომარეობა სოფლად. თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული.	VIII	„–"	19
67	რევიშვილი ზურა	სოფლის ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პრობლემები. თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული.	VIII	„–"	23
68	სარჩიმელია როლანდი	საქართველოს საგარეო ვაჭრობის შესაძლებლობები. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული.	VIII	„–"	12
69	სარჩიმელია როლანდი, ლორთქიფანიძე რევაზი	პოსტსაბჭოთა საქართველოს მოსახლეობის ფენებად ფორმირების პროცესის გავლენა პრივატიზაციასა და კონკურენციაზე. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული.	VIII	„–"	
70	სარჩიმელია როლანდი	საბაზრო ეკონომიკის მბრძანებლური დაგეგმვის სისტემასთან შეუთავსებლობა და ამ პროცესზე ფარდობითობის თეორიის გავლენა. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომების კრებული.	ტომი 9	თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია.	
71	სარჩიმელია როლანდი	მეცნიერების ეკონომიკის პრობლემები საქართველოში. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული.		თბილისი, თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა	18
72	სიგუა გიორგი	მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფუნდამენტური ფაქტორები. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული.	VIII	თბილისი, თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა	
73	ქავთარაძე თენგიზი	ცხვრის გადასარეკი ტრასების მდგომარეობის საკითხები საქართველოში ჟურნ. „ეკონომისტი".	№ 1	„–"	
74	ქავთარაძე თენგიზი	რძის დამზადებისა და ტრანსპორტირების ორგანიზაციის პრობლემები საქართველოში.		„–"	

		აკად. პ. გუგუშვილის დაბ.-დან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთ. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფ. მასალების კრებული „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვით.-ის აქტუალური პრობლემები“.			
75	ქავთარაძე თენგიზი	ფასწარმოქმნისა და რენტაბელობის პრობლემები მეცხოველეობაში. თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული.	VIII	„––“	22
76	ქველაძე ქეთინო	ტურისტული მომსახურების განვითარების ზოგიერთი ასპექტი ქვეყნის ეროვნულ ეკონომიკაში. აკად. პ. გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფ. მასალების კრებული „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“.		„––“	12
77	ქველაძე ქეთინო ქისტაური ნუნუ, მელაშვილი მედეა,	მომსახურების სფეროს განვითარების თანამედროვე ასპექტები და მისი პერსპექტივები საქართველოში. თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული.	VIII	„––“	25
78	ქისტაური ნუნუ, მელაშვილი მედეა	უცხოური ინვესტიციების როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომის კრებული.	VIII	„––“	
79	ქურდაძე თინა	საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის სრულყოფის საკითხისათვის. აკად. პ. გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფ. მასალების კრებული „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“.		„––“	
80	ქურდაძე თინა	საბიუჯეტო-საგადასაადო სისტემა პოლიტიკური გამოწვევების წინაშე. თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული.	VIII	„––“	
81	ჩხეიძე თინა	მდგრადი ეკონომიკური განვითარების პრობლემები საქართველოში. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული.	VIII	„––“	17
82	ჩხეიძე თინა	გაუდაბნოება – ეკონომიკის მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი პრობლემა. აკად. პ. გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნ. კონფერენციის მასალების კრებული. „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“.		„––“	4
83	ჩხეიძე თინა	ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და დაცვის	№ 5	„––“	7

		საკითხისათვის. საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“.			
84	ჩხეიძე თინა, ქველაძე ქეთინო	მიწის რესურსის ოპტიმალურად გამოყენება და დაცვის პრობლემები საქართველოში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებული სამეცნიერო ჟურნალი „მეცნიერება და ცხოვრება“.	№1 თბ. 2016	გამომც. „მწიგნობარი“	11
85	ჩხეიძე თინა, ქველაძე ქეთინო	სოფლის მეურნეობის წარმოების ძირითადი საშუალება მიწაა თუ ნიადაგი!? საქ.-ოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. გაეროს მიერ განხორციელებული ნიადაგის საერთაშორისო წლის ფარგლებში, ნიადაგის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია: „ნიადაგების როლი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების საქმეში.“		გამ.-ბა „არიალი“	13
86	ცუცქირიძე მარინა	ბიზნესის ორგანიზაციული სისტემის განვითარების ასპექტები. აკად. პ. გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნ. კონფერენციის მასალების კრებული. „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“.		თბილისი, თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომ-ცემლობა	5
87	ცუცქირიძე მარინა	ბიზნესის ორგანიზაციული სისტემების განვითარება და მისი დარგობრივი ასპექტები. თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული.	VIII	„--“	10
88	ხუსკივაძე მამუკა	შემოსვლით ტურიზმზე მოთხოვნის დეტერმინანტები და მისი ანალიზი ეკონომეტ-რიკული მოდელირების მეთოდის გამოყენებით საქართველოს მაგალითზე. აკად. პ. გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნ. კონფერენციის მასალების კრებული. „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“.		„--“	7

89	ხუსკივაძე მამუკა, ნოზაძე ზურა	მდგრადი განვითარების არსებული მდგომარეობა საქართველოში. თსუ პ. უგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული.	VIII	„—“	
90	ჯავახიშვილი რეზო	ევროინტეგრაციის მოთხოვნები და საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები. თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული.	VIII	„—“	25
91	ჯავახიშვილი რეზო	საქართველოს საგარეო ვაჭრობის ევროპული კურსი. აკად. პ. გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნ. კონფერენციის მასალების კრებული. „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“.		„—“	7
92	ჯავახიშვილი რეზო	ევროინტეგრაციის მოთხოვნები და საქართველოს გამოწვევები ვაჭრობის სფეროში. ჟურნ. „მეცნიერება და ცხოვრება“.	№1		10
93	ჯავახიშვილი რეზო	ევროინტეგრაციის მოთხოვნები და საქართველოს სოფლის მეურნეობის გამოწვევები. ჟურნ. „მეცნიერება და ცხოვრება“.	№2		12

ანოტაციები ქართულ ენაზე

რ. აბესაძე. დაზუსტებულია მდგრადი განვითარების მოთხოვნები ეკონომიკის სფეროში, გამოკვლეულია საქართველოში ეკოლოგიური მდგომარეობის სხვადასხვა ასპექტი.

რ. აბესაძე. გამოკვლეულია ტექნოლოგიების მნიშვნელობა ეკონომიკური განვითარებისათვის. შემოთავაზებულია საქართველოში ახალი ტექნოლოგიების ათვისების შესაძლებლობები.

რ. აბესაძე. გადმოცემულია ინოვაციების და ინოვაციური ეკონომიკის არსი და შემოთავაზებულია საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების ზოგადი მიმართულებები.

ნ. არევაძე. ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია საქართველოს მრეწველობის განვითარებისათვის დამახასიათებელი ძირითადი ტენდენციები კრიზისამდელ, კრიზისის და კრიზისის შემდგომი პერიოდისათვის, განსაზღვრულია მრეწველობის როლი და ადგილი საქართველოს

ეკონომიკაში და მისი განვითარების შესაძლო ტენდენციები მომავალში.

ნ. არევაძე. სტატიაში გაანალიზებულია მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების განვითარების საკითხები კრიზისამდელ და კრიზისის შემდგომ პერიოდებში. დახასიათებულია მისი თანამედროვე მდგომარეობა, რომლიც დღეისათვის სავალალო მდგომარეობაშია. გამოთქმულია ზოგიერთი წინადადება არსებული ვითარების გამოსწორებისა და მისი სამომავლო აღორძინების მიმართულებით.

ნ. არევაძე. სტატიაში გაანალიზებულია კვების მრეწველობის განვითარების ასპექტები კრიზისამდელ და კრიზისის შემდგომ პერიოდებში. ამჟამად პროდუქციის წარმოების მოცულობა დარგში მნიშვნელოვნად ჩამორჩება 1990 წლის შესაბამის მონაცემებს როგორც ღირებულებითი, ისე განსაკუთრებით ნატურალური მაჩვენებლების მიხედვით. გაკეთებულია დასკვნა, რომ საქართველოს გააჩნია საუკეთესო პირობები და შესაძლებლობები დარგის განვითარებისათვის.

ნ. არევაძე. სტატიაში გაანალიზებულია ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის განვითარების ასპექტები კრიზისამდელ და კრიზისის შემდგომ პერიოდებში სანედლეულო შესაძლებლობებისა და დღევანდელი სავალალო მდგომარეობის გათვალისწინებით, გამოთქმულია ზოგიერთი მოსაზრება დარგის მომავალი განვითარების მიმართულებით.

ნ. არევაძე. სტატიაში გაანალიზებულია შავი და ფერადი მეტალურგიის განვითარების ძირითადი ასპექტები კრიზისამდელ და კრიზისის შემდგომ პერიოდებში. სხვა დარგებისაგან განსხვავებით, აღნიშნულმა დარგმა მეტ-ნაკლებად შეინარჩუნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საწარმოო პერსონალი, თუმცა შეამცირა როგორც წარმოებული პროდუქციის მოცულობა, ისე მისი ასორტიმენტი, რაც ნედლეულით მომარაგების პრობლემასთან უშუალოდ არის დაკავშირებული. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, რამდენადაც ახლა ერთადერთი კონკურენტუნარიანი მეტალურგიული პროდუქტი, რომლის მიწოდებაც საქართველოს შეუძლია მსოფლიოს ბაზრისათვის სწორედ ფერო და სილიკომანგანუმია.

ნ. არევაძე. სტატიაში გაანალიზებულია საქ. ხე-ტყის, ხის დამამუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის განვითარების ასპექტები. აღნიშნულია იმ სიძნელეებზე, რომელიც ამჟამად შექმნილია დარგში და ამის გამო ქვეყნის მოთხოვნილება მის პროდუქციაზე ძირითადად იმპორტით კმაყოფილდება. გამოთქმულია ვარაუდი მისი შემდგომი მძლავრი განვითარების გარკვეულ სიძნელეებზე სანედლეულო რესურსების შეზღუდულობის მიზეზით და ამდენად არსებული და მეორადი რესურსების უფრო რაციონალური გამოყენების აუცილებლობის თაობაზე.

ნ. არევაძე. სტატიაში „საშენი მასალების მრეწველობის განვითარების პრობლემები საქართველოში", გაანალიზებულია საშენი მასალების განვითარებაში მიღწეული შედეგები და ის ძირითადი პრობლემები, რომელიც ამჟამად დგას დარგის წინაშე გაღრმავებული გლობალიზაციისა და ეკონომიკური კრიზისის პირობებში. გაკეთებულია დასკვნა საქართველოში საშენი მასალების მრეწველობის აუცილებელი აღორძინების თაობაზე, რამდენად ქვეყანაში არსებობს როგორც საშენ მასალებზე დიდი მოთხოვნა და საკმარისი სანედლეულო რესურსები, ისე დაუსაქმებელი სამუშაო ძალა და საექსპორტო პროდუქციის ასორტიმენტის გაუმჯობესების შესაძლებლობა. ამისათვის საჭირო იქნება გარკვეული ღონისძიებების განხორციელება, რომელიც უპ.ყ. ლიცენზირების პოლიტიკის შეცვლასა და მეწარმეთა დაინტერესებაში მდგომარეობს.

ნ. არევაძე. სტატიაში გაანალიზებულია მსუბუქი მრეწველობის განვითარების ძირითადი ასპექტები. აღნიშნულია, რომ მსუბუქი მრეწველობა მონაწილეობის სხვა დარგთა შორის თითქმის ყველაზე მეტად დაზარალდა კრიზისსა და კრიზის შემდეგ პერიოდებში. გამოთქმულია ზოგიერთი მოსაზრება დარგის აღმავლობისათვის მომავალში.

გ. ბერულავა. ამ სტატიის მთავარი მიზანია მომსახურების სექტორის რეფორმირების როლის შესწავლა ექსპორტის განხორციელების ხელშეწყობაში გარდამავალ ეკონომიკებში. მომსახურების სექტორი ამ კვლევაში მოიცავს ისეთ დარგებს როგორიცაა, ანსები, ტელეკომუნიკაცია და ელექტრო ენერგეტიკა, რომლებიც არ არიან ინდივიდუალური ფირმების კონტროლის ქვეშ. მაგრამ რომლებიც გავლენას ახდენენ ვაჭრობის და ბიზნესის კეთების დანახარჯებზე და ამდენად, ფირმების მწარმოებლურობაზე. ამ კვლევის შედეგად დადგინდა რომ სერვისის სექტორის გაუმჯობესობა მნიშვნელოვან და დადებით გავლენას ახდენს სამრეწველო ფირმების საექსპორტო საქმიანობაზე.

გ. ბერულავა, თ. გოგოხია. ამ სტატიტის მიზანია შეიქმნას წარმოდგენა, იმასთან დაკავშირებით თუ როგორ შეძლებს საქართველომ გაზარდოს მისი მწარმოებლურობა და წარმოადგინოს შრომითი რესურსები და კომპანიების სპეციალიზირებული უპირატესობები. ჩვენ დავიწყებთ არსებული მდგომარეობის და რეფორმების აღწერით შესაბამის დარგებში, როგორიცაა ეკონომიკური განვითარება და საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემები. მეორე, ჩვენ დავადგენთ არსებულ პრობლემებს და შესაძლებლობებს ამ სფეროებში. მესამე, განხილულ იქნება თითოეული

დაინტერესებული მხარის ფუნქცია და მათი პოტენციალი ხელი შეუწყონ საქართველოს შრომითი რესურსების კონკურენტუნარიანობის გაზრდას. მეოთხე, დეტალურად დამუშავდება პოლიტიკის რეკომენდაციები როგორც მთავრობისთვის, ასევე კერძო სექტორისთვის.

ამ ნაშრომის მთავარი სიახლეები არის:

•საქართველოში კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში ადამიანური კაპიტალის როლის განსაზღვრა;

•საქართველოში ბიზნესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების გამოვლენა:

•საქართველოში კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და ბიზნესის განვითარების შესახებ რეკომენდაციების შემუშავება;

გ. ბერულავა. ამ ნაშრომის მიზანია გარდამავალ ეკონომიკებში ფირმის საქმიანობაზე ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების გავლენის ანალიზი. ნაშრომის მთავარი წვლილი მდგომარეობს იმაში, რომ ის უზრუნველყოფს ახალ ემპირიულ შეხედულებას გარდამავალ ეკონომიკებში ნდობაზე დაფუძვნებული ურთიერთობების და ბიზნეს საქმიანობის შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირზე. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ კონტრაქტული ურთიერთობების არაფორმალური ნდობაზე დაფუძვნებული ინსტიტუტები წარმოადგენენ ბიზნესის საქმიანობის გაუმჯობესობის მნიშვნელოვან მიმართულებას გარდამავალ ეკონომიკებში.

გ. ბრეგვაძე. ნაშრომში განხილულია უკანასკნელ წლებში საქართველოში მშენებლობის სექტორის განვითარების სპეციფიკა და თავისებურებანი. შესწავლილი და გაანალიზებულია ის პრობლემები, რომელიც ამ სფეროშია და დასახულია მათი გადაჭრის გზები.

გ. ბრეგვაძე. ნაშრომში განხილულია საქართველოს სამშენებლო სექტორის ინვესტირების საკითხები უკანასკნელი წლების მანძილზე. გაანალიზებულია არსებული მდგომარეობა და დასახულია გზები თუ, როგორ შეიძლება გაიზარდოს ამ სფეროში ინვესტირება.

ვ. ბურდული. ქვეყნის ეკონომიკის გლობალურ და რეგიონულ ეკონომიკურ სისტემებში ინტეგრაციის აუცილებლობის პირობებში საჭიროა კურსის აღება განვითარების ნეოინდუსტრიულ ტიპზე (შესაბამისი დარგობრივი სტრუქტურის ფორმირება) და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებაზე (უკანასკნელის ფორმირება ძლიერად დამოკიდებულია ქვეყანაში ცოდნის ეკონომიკის მდგომარეობაზე). ეფექტიანი ეკონომიკის აშენების უზრუნველყოფაში განსაკუთრებული როლი გააჩნია საკმაოდ მსხვილი სახელმწიფო და კერძო განვითარების საფინანსო ინსტიტუტებისა და, ასევე, თანამედროვე ქსელური ურთიერთობების თავისდროულ ფორმირებას. ამიტომ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მოდელის (ეკონომიკის დარგობრივი, ორგანიზაციული და ინსტიტუციური სტრუქტურა, მათი განვითარების სტრატეგია, განვითარების სახელმწიფო და ბიზნეს-კოორდინაციის მექანიზმები) სრულყოფისას საჭიროა ასეთი განვითარების აღნიშნული სისტემაშემქმნელი პირობების და კომპონენტების გათვალისწინება.

ამასთან დაკავშირებით, ნაშრომში გამოკვლეულია ცნებების "ნეოინდუსტრიული განვითარება" და 'ინოვაციური ეკონომიკა" შინაარსის, ურთიერთკავშირის და ურთიერთდამოკიდებულების თეორიული ასპექტები.

გამოკვლეულია და დასაბუთებულია ცნებების "ნეოინდუსტრიული განვითარება" და "ნეოიდუსტრიული ეკონომიკა" შინაარსი, ყურადღების აქცენტირებით მათი სტრუქტურულ-დარგობრივ და სტრუქტურულ-ტექნოლოგიურ ასპექტებზე.

კრიტიკულად გამოკვლეულია ცნების "ინოვაციური ეკონომიკა" რამდენიმე თანამედროვე დეფინიცია და ამის საფუძველზე ფორმულირებულია და დასაბუთებულია ავტორისეული გაფართოებული დეფინიცია (სხვა განხილული დეფინიციების დადებითი მხარეების გათვალისწინებით).

ნაჩვენებია და დასაბუთებულია ცნებების "ნეოინდუსტრიული განვითარება", "ინოვაციური ეკონომიკა" და "ცოდნის ეკონომიკა" ურთიერთკავშირი", "ურთიერთდამოკიდებულება" და ნაწილობრივი ურთიერთშეთავსება და დამტკიცებულია, რომ გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის პირობებში ისინი წარმოადგენენ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უპირობო ძირითად მიმართულებებს.

განსაკუთრებული ყურადღება ნაშრომში ეთმობა განვითარების საფინანსო ინსტიტუტებისა და ქსელური ურთიერთკავშირების თანამედროვე შინაარსისა და სისტემატიზაციის კვლევას. ნაჩვენებია, რომ ეს ცნებები წარმოადგენენ ქვეყნის ნეოინდუსტრიული ინოვაციური განვითარების მთავარ უპირობო ატრიბუტებს. ნაშრომში ასევე მოყვანილია ქვეყანაში განვითარების საფინანსო ინსტიტუტებისა და ქსელური ურთიერთკავშირების ფორმირების მაგალითები.

ვ. ბურდული. ნაშრომში განხილულია საქართველოს ეკონომიკის თვითკმარობის დონის ამაღლების პრობლემები მისი დარგობრივი სტრუქტურის გაუმჯობესების, დივერსიფიკაციის, ექსპორტის მოცულობის ზრდისა და იმპორტჩანაცვლებითი წარმოების მასშტაბების ზრდის საფუძველზე. ამასთან

დაკავშირებით გამოკვლეულია სტრუქტურული ეფექტის გაგება (უპირატესად მისი სტრუქტურულ-დარგობრივი ასპექტები) და მისი შეფასების ხერხები, რომელთა შორის მთავარ როლს თამაშობს ეკონომიკის თვითკმარობის დონის შეფასება. გამოკვლეულია ეკონომიკის თვითკმარობის დონე გამსხვილებული დარგობრივი ჯგუფების ჭრილში და ამის საფუძველზე შემოთავაზებულია საქართველოს ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებები (პრიორიტეტული დარგების წინმსწრები განვითარების გზით). ამის შემდეგ მოცემულია საქართველოს სტრუქტურულ-დარგობრივი პოლიტიკისა და მისი ინსტრუმენტების სრულყოფის მიმართულებები, იმ შესაძლებლობების გათვალისწინებით, რომლებსაც იძლევიან საქართველოს ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ შეთანხმების დებულებები.

ვ. ბურდული. ნაშრომში დასაბუთებულია, რომ პოსტკომუნისტური ქვეყნის რეგიონების განვითარების კოორდინაციის თანამედროვე მექანიზმი ადაპტირებული უნდა იყოს გლობალიზაციის პირობებისადმი. განხორციელებულია რეგიონების ჭრილში საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი, რომელმაც გამოავლინა: საქათველოს რეგიონების ჩამორჩენილობა რუსეთის და უკრაინის რეგიონებისაგან ერთ სულ მოსახლეობაზე შექმნილი მთლიანი რეგიონული პროდუქტის მაჩვენებლის მიხედვით; კეთილდღეობის დონის უთანაბრობა საქართველოს რეგიონებს შორის; მრეწველობისა და საქმიანობის ზოგიერთი სხვა სახის განვითარების დაბალი დონე საქართველოს რიგ რეგიონში. გამოვლენილია ასევე ერთ დასაქმებულზე შექმნილი დამატებული ღირებულების მაჩვენებლის დაბალი დონე საქმიანობის ძირითადი სახეების ჭრილში. დასახულია რეგიონებში ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები. განხილულია საქართველოში რეგიონული განვითარების კოორდინაციის თანამედროვე მდგომარეობა. განვითარებული ქვეყნების გამოცდილებისა და ტრანსფორმაციული პერიოდის თავისებურებების გათვალისწინებით მოცემულია და დასაბუთებულია რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების სტრატეგიის შემუშავებისა და ასეთი განვითარების კოორდინაციის და სტიმულირების სისტემების სრულყოფის გზები. ზოგიერთი განვითარებული და განვითარებადი ქვეყნის გამოცდილების გათვალისწინებით შემოთავაზებულია საქართველოში საჯარო მართვის დეცენტრალიზაციის გზები.

ვ. ბურდული. ნაშრომში განხილულია საქართველოს ეკონომიკის თვითკმარობის დონის ამაღლების პრობლემები მისი დარგობრივი სტრუქტურის გაუმჯობესების, ექსპორტის დივერსიფიკაციის და მისი მოცულობის ზრდისა, ასევე, იმპორტჩანაცვლებითი პროდუქციის მასშტაბების ზრდის ხარჯზე. ამასთან დაკავშირებით გამოკვლეულია სტრუქტურული ეფექტის გაგება (ძირითადად, მისი სტრუქტურულ-დარგობრივი ასპექტების) და მისი გაზომვის ხერხები (რომელთა შორის მთავარ როლს თამაშობენ ეკონომიკის და მისი სექტორების თვითკმარობის დონის შეფასებები). შესწავლილია ეკონომიკის თვითკმარობის დონე აგრეგირებული დარგობრივი ჯგუფების (სექტორების) ჭრილში და ამის საფუძველზე შემოთავაზებულია საქართველოს ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის გაუმჯობესების გზები პრიორიტეტული დარგების წინმსწრები განვითარების გზით.

თ. გოგოხია. სტატიაში წარმოდგენილია ტექნოლოგიური და მარკეტინგული ინოვაციების არსი, როლი და მნიშვნელობა ფირმის ეფექტიანობის ამაღლებაში განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების მაგალითზე.

თ. გოგოხია. სტატიაში განხორციელებულია შესაბამის ლიტერატურაში აღწერილი იმ ემპირიული კვლევების გარკვეული ნაწილის მიმოხილვა, რომელიც ეხება ფირმებში ტექნოლოგიური და არატექნოლოგიური (მათ შორის მარკეტინგული) ინოვაციების დანერგვის სტიმულებსა და ბარიერებს.

ჩვენი დასკვნის მიხედვით, განვითარებად (განსაკუთრებით, გარდამავალი ეკონომიკის) ქვეყნებში ფირმის დონეზე ინოვაციების დანერგვის სტიმულები და ბარიერები ერთმანეთისგან განსხვავდება ან ტიპის, ან მოქმედების ძალის მიხედვით. ამ მდგომარეობას განაპირობებს კონკრეტული ქვეყნის თავისებურებები და სპეციფიკა.

ნ. დავლაშერიძე. სტატიაში გამოთქმულია ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატის ს. კუზნეცის შეხედულებები ეკონომიკის ინოვაციური განვითარების მდგრადი განვითარების აქტუალურ პრობლემებზე. უწყვეტ ეკონომიკური განვითარების პროცესზე. აღნიშნულია, რომ ეკონომიკური ზრდის პრობლემები შორდება წმინდა ეკონომიკურს. ეკონომიკური ზრდის ფესვების აღმოსაჩენად უნდა დავეყრდნოთ სხვა სოციალურ მეცნიერებებს – სოციოლოგიას, პოლიტოლოგიას, დემოგრაფიას.

ნ. დავლაშერიძე. სტატიაში განხილულია სტატისტიკის ინდიკატორები და მაჩვენებლები, რაც ევროკავშირის ქვეყნებს საშუალებას აძლევს, განსაზღვრონ ინოვაციური განვითარების ლიდერები და აქტუალობა, შეაფასონ ინოვაციური საქმიანობა ძირითად კონკურენტებთან – აშშ-თან და იაპონიასთან შედარებით, გამოავლინონ და გამოიყენონ საუკეთესო გამოცდილება. ამავე დროს აღნიშნულია, რომ ინოვაციური განვითარების შეფასების ერთმნიშვნელოვანება არ შეიძლება

ჩაითვალოს გადაწყვეტილად.

ლ. დათუნაშვილი. სტატიაში გაანალიზებულია 2000-2014 წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებები, რაც გამოიხატა სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვებაში მემცენარეობის ხვედრითი წილის შემცირებაში და სასოფლო-სამეურნეო მომსახურეობის ხვედრითი წილის ზრდაში. ერთწლიანი კულტურების სტრუქტურაში მარცვლოვანი და მარცვლოვან-პარკოსანი კულტურების ხვედრითი წილის ზრდაში, ტექნიკური კულტურების, კარტოფილისა და ბოსტნეულის, ასევე საკვები კულტურების ხვედრითი წილის შემცირებაში. მრავალწლიანი კულტურებიდან ყურძნის და ციტრუსის წარმოების ზრდაში, ხილისა და განსაკუთრებით ჩაის ფოთლის წარმოების შემცირებაში.

სტატიაში დადგენილია, რომ მეცხოველეობის დარგობრივ სტრუქტურაში გაიზარდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, თხისა და ცხვრის სულადობა, ასევე ფუტკრის ოჯახის რაოდენობა, შემცირდა ფრინველისა და ღორის სულადობა, ხოლო შეწყდა მეაბრეშუმეობის, როგორც დარგის არსებობა. სტატიაში დასახულია რიგი ღონისძიებები სოფლის მეურნეობის დარგობროვი სტრუქტურის სრულყოფის მიმართულებით.

ლ. დათუნაშვილი. სტატიაში შესწავლილი და გაანალიზებულია საქართველოში მეციტრუსეობის განვითარების ზოგიერთი ისტორიული ასპექტი. ყურადღება გამახვილებულია პოსტსაბჭოთა პერიოდში დარგის განვითარებისათვის განხორციელებულ ღონისძიებებზე როგორც ციტრუსების ფართობის, ისე ციტრუსოვანთა ნაყოფის წარმოების გადიდების მიმართულებით. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში დიდი მნიშვნელობა აქვს ციტრუსოვანთა ნაყოფის რეალიზაციისათვის როგორც ძველი, ისე ახალი გასაღების ბაზრის ათვისების საკითხს. სტატიაში ხაზგასმულია როგორც ახლო და შორეულ საზღვარგარეთის ქვეყნებთან აღნიშნული პრობლემის დარეგულირების, ასევე ქვეყნის შიგნით საკონსერვო წარმოების განვითარების ბაზაზე ციტრუსოვანთა ნაყოფის გადამუშავების და ამ სახით საექსპორტოდ გატანის აუცილებლობაზე. სტატიაში ჩამოყალიბებულია წინადადებები და დასახულია ღონისძიებები, რომელთა რეალიზაცია ხელს შეუწყობს დარგის შემდგომ განვითარებას.

ლ. დათუნაშვილი. სტატიაში შესწავლილი და გაანალიზებულია ბოლო 20 წლის მანძილზე ქვეყანაში მიმდინარე კატაკლიზმების ფონზე (ეკონომიკური და ენერგოკრიზისი, მოუფიქრებელი ეკონომიკური რეფორმები, სამეურნეო კავშირების მოშლა, სეპარატიზმი, სამოქალაქო ომი, ლტოლვილთა დიდი ნაკადი და სხვა) როგორი დეგრადაცია განიცადა საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსმა და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკამ. ასევე აღნიშნულმა მოვლენებმა თუ რა მძიმე დაღი დაასვა ქვეყნის ყველაზე განვითარებულ დარგს – მეჩაიეობას, რომლის მზა პროდუქცია პოსტსაბჭოთა პერიოდში დაახლოებით 90%-მდე ექსპორტზე გადიოდა, ძირითადად რუსეთისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ბაზრებზე.

სტატიაში ხაზგასმულია თუ როგორ განადგურდა მეჩაიეობის დარგის მომსახურე დარგები და მთლიანი ინფრასტრუქტურა, ასევე, თუ როგორ მკვეთრად შემცირდა ჩაის ფართობი და შესაბამისად ჩაის წარმოება საქართველოში. დადგენილია ის მიზეზები, რამაც ხელი შეუწყო დარგის ასეთ დაკნინებას, გამოთქმულია წინადადებები და ჩამოყალიბებულია ღონისძიებათა კომპლექსი დარგის შემდგომი განვითარების მიმართულებით.

ლ. დათუნაშვილი. სტატიაში შესწავლილია მევენახეობის, როგორც სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი და პრიორიტეტული დარგის, მდგომარეობა საქართველოში. დადგენილია, რომ ბოლო 20 წლის მანძილზე მნიშვნელოვანი ცვლილებები შეინიშნება ქვეყანაში როგორც ვენახის ფართობის, ისე ყურძნის წარმოების მხრივ. 1995-2014 წლებში ყურძნის წარმოება 197,5 ათასი ტონით შემცირდა.

სტატიაში ხაზგასმულია იმ მიზეზების შესახებ, რამაც გამოიწვია ყურძნის წარმოებაში არსებული მდგომარეობა (მოიშალა ძველი კავშირები, გაიძარცვა და განიავდა ყურძნის გადამამუშავებელი ქარხნების მანქანა-დანადგარები და რაც გადარჩა, მორალურად და ფიზიკურად მოძველებულია). საქართველოში წარმოებული სამარკო ღვინოებისა და ღვინომასალების ექსპორტი ძირითადად რუსეთსა და პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში ხდებოდა. დღეისათვის ეს სივრცე მნიშვნელოვნად შემცირებულია.

სტატიაში ჩამოყალიბებულია წინადადებები და დასახულია ღონისძიებები მევენახეობა-მეღვინეობის პროდუქციის წარმოების გადიდების მიმართულებით.

ლ. დათუნაშვილი. სტატიაში შესწავლილია მეცხოველეობაში, როგორც ქვეყნის აგრარული სფეროს ძირითად დარგში არსებული მდგომარეობა. გაანალიზებულია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (ფურკამეჩის ჩათვლით), ღორის, ცხვრისა და თხის სულადობის, ასევე სხვადასხვა სახის ფრინველის, კვერცხის, თაფლისა და რძის წარმოებაში არსებულ რაოდენობრივ ცვლილებებზე მოქმედი ფაქტორები. ყურადღება გამახვილებულია მეაბრეშუმეობასა და საკვებწარმოებაში არსებულ მდგომარეობასა და განვითარების შესაძლებლობებზე. მითითებულია 2000-2014 წლებში საქართველოში მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების შემცირებაზე სხვადასხვა ობიექტური და

სუბიექტური მიზეზების არსებობაზე, დაფიქსირებულია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის, ცხვრისა და თხის, ასევე ფრინველის დაცემის მიზეზები. ყურადღება გამახვილებულია ზოოტექნიკური და ვეტერინარული მომსახურების, ასევე აგრარული სფეროს ინფრასტრუქტურის განვითარების მეტად დაბალ დონეზე.

სტატიაში გამოთქმულია წინადადებები და დასახულია ღონისძებები მეცხოველეობის შემდგომი განვითარების მიმართულებით.

ლ. დათუნაშვილი. სტატიაში გაშუქებულია მეაბრეშუმეობის ჩასახვისა და განვითარების საკითხებზე დარგის უცხოელი მკვლევარების შეხედულებები (მუკერჯნი, ტიხომიროვი, რონდო, მუხამედოვი, შავროვი). ყურადღება გამახვილებულია საქართველოში აბრეშუმის გრენის შემოტანისა და შემდგომ დარგის განვითარების შესახებ ქართველ მკვლევართა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე (აბესაძე ა., ბოცვაძე ს., კალაძე ა. და სხვები) მოტანილია უცხოელ მოგზაურთა მიერ სხვადასხვა პერიოდში საქართველოში მოგზაურობის დროს მათ მიერ დანახული და შეფასებული ქვეყნის მეურნეობის სხვადასხვა დარგის, მ. შორის მეაბრეშუმეობის არსებული მდგომარეობა. სტატიაში შესწავლილია საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის გაუქმებისა და რუსეთთან მისი შეერთების შემდეგ მეაბრეშუმეობის (აბრეშუმის პარკის წარმოება) განვითარებისათვის მეფის რუსეთის მიერ გატარებული ღონისძიებები, რომლებმაც გარკვეულწილად განსაზღვრეს ქვეყნის ამ ტრადიციული დარგის შენარჩუნება და განვითარება.

ლ. დვალიშვილი. თანამედროვე სამყაროსათვის ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს ეკოლოგიური პრობლემები.

ადამიანს არსებობისათვის სჭირდება ისეთი გარემო, სადაც იქნება სუფთა ჰაერი, წყალი, ჯანსაღი კლიმატი.

მთელ მსოფლიოში დიდი ყურადღება ეთმობა ატმოსფერული ჰაერის დაცვას ანთროპოგენური საქმიანობით დაბინძურებისაგან, რადგან ჰაერი ადამიანისათვის უმთავრესი სასიცოცხლო რესურსია.

მიგვაჩნია, რომ ეკოლოგიური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი და ამოსავალი წერტილი უნდა გახდეს დედამიწის დაცვა მომხმარებლური დამოკიდებულებისაგან, რათა უზრუნველვყოთ მომავალი თაობების უსაფრთხო გარემოს შენარჩუნება.

დღეისათვის სოციალურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ სფეროებში მიმდინარე ცვლილებების პირობებში დღის წესრიგში უნდა დადგეს ახალი მიდგომები გარემოსდაცვით პოლიტიკასა და კანონმდებლობაში. ეკოლოგიის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისას განსაზღვრული უნდა იყოს გრძელვადიანი მიზნები, მიმართულებები, ამოცანები და პრინციპები გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის ხანგრძლივი მოთხოვნების შესაბამისად.

ლ. დვალიშვილი. მთელ მსოფლიოში დიდი ყურადღება ეთმობა ატმოსფერული ჰაერის დაცვას ანთროპოგენური საქმიანობით დაბინძურებისაგან, რადგან ჰაერი ადამიანისათვის უმთავრესი სასიცოცხლო რესურსია.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მთავარ პასუხისმგებელ უწყებას ქვეყანაში გარემოს დაცვის სამინისტრო წარმოადგენს. დღესდღეობით ეკონომიკური საქმიანობები უკეთესი ტექნოლოგიებით და მენეჯმენტის მეშვეობით უნდა განვითარდეს, რათა მნიშვნელოვნად შემცირდეს ბუნებაზე ზეწოლის ზრდა. ნაშრომში მოცემულია ატმოსფერული ჰაერის დაცვის საკითხებთან დაკავშირებით საქართველოში მოქმედი ძირითადი ნორმატიული დოკუმენტები.

ც. თეთრაული. წინამდებარე ნაშრომში განხილულია ინფლაციის გამომწვევი მიზეზები და მისი განვითარების თავისებურებები. გაანალიზებულია მისი დარეგულირების გზები და ღონისძიებები.

ც. თეთრაული. სტატიაში განხილულია სახელმწიფოს არსი, მისი განვითარების სახეები და თავისებურებები; გაანალიზებულია სახელმწიფოს ძირითადი ეკონომიკური ფუნქციები, მისი როლი და მნიშვნელობა.

ე. კაკულია. განვითარებული ქვეყნების მასალების საფუძველზე ნაჩვენებია მცირე ბიზნესის როლი დასაქმე ბასა და უმუშევრობის შემცირებაში. ამ მიმართულებით გამოკვლეულია საქართველოში არსებ ული მდგომარეობა, გამოთქმულია მოსაზრება, მცირე ბიზნესის, როგორც უმუშევრობის შემცირების ერთ-ერთი ფაქტორის განვითარების აუცილებლობის შესახებ. ნაჩვენებია ქვეყანაში ამ მიმართულებით არსებული პოტენციალი.

ე. კაკულია. გამოკვეთილია ის კანონზომიერებები, რაც დღეისათვის ახასიათებს მცირე ბიზნეს ეკონომიკურ სისტემაში(თავისებურებები, მნიშვნელობა , არსი, როლი). კვლევის შედეგად საქართველოში მცირე ბიზნესის ფორმირება-განვითარება წარმოდგენილია გარდამავალი პერიოდის დაწყებიდან დღემდე ხუთ ეტაპად . 2016 წლიდან საქართველოს მცირე ბიზნესის ფორმირება -განვითარების(მეექვსე ეტაპი) სწორი პოლიტიკა უნდა შემუშავდეს , ამ სფეროში უნდა დაიწყოს ევროკავშირის პოლიტიკის პრინციპების და ინსტრუმენტების დანერგვა. მიუხედავად იმისა,რომ ევროინტეგრაცია ქვეყნის სტრატეგიული პოლიტიკაა,

ჯერ კიდევ არ არის დანერგილი მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის ევროპის ქვეყნების სახელმწიფო პოლიტიკა. ევროკავშირის ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენს მცირე ბიზნესის სოციალური როლის და მნიშვნელობის წახალისება.

ე. კაკულია. ქვეყნის სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა სოციალური დაზღვევა მისი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება. კვლევის შედეგად სოციალური დაზღვევის ბიზნესის განვითარების არსებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილია , იფორმაციული და ფინანსური ნაკადების მოძრაობის მექანიზმი. სოციალური დაცვის სახელმწიფო და კერძო სადაზღვევო სისტემის ფორმირება შეუძლებელია სოციალური დაზღვევის სისტემის განვითარაების მარეგულირებელი სახელმწიფო ერთიანი მექანიზმის ჩამოყალიბების გარეშე.ნაშრომში აღწერილია ამ მექანიზმის სტრუქტურის ავტორისეული ხედვა.

მ. კვარაცხელია. ნაშრომი ეხება ქართული ეკონომიკური აზრის განვითარების ზოგიერთ ასპექტს ისეთი დიდი მოაზროვნეების შემოქმედებაში, როგორიცაა: ილია ჭავჭავაძე და ნიკო ნიკოლაძე. მათ მიერ შესწავლილი საბაზრო ურთიერთობები დღესაც იძლევა გარკვეულ ორიენტირებს ქართული მოდელის პრინციპების შესაქმნელად.

მ. კვარაცხელია. სტატიაში განხილულია მიგრაციის საერთაშორისო პრობლემების ცალკეული ასპექტები, როგორიცაა მიგრაციული კრიზისი საერთაშორისო დონეზე, მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ფონზე. გაანალიზებულია საქართველოში არსებული მდგომარეობა მოსახლეობის მიგრაციასთან დაკავშირებით, ქვეყანაში მიმდინარე პროცესები და უახლოეს პერსპექტივაში მოსალოდნელი ტენდენციები. სტატიაში ნაჩვენებია ის, რომ მოსახლეობის მიგრაცია საუკუნის პრობლემაა, რაც მოითხოვს ქვეყნებისგან მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამების შემუშავებასა და მისი რეალიზაციისთვის სათანადო რესურსების მობილიზებას.

ა. კურატაშვილი. სამეცნიერო ნაშრომში განხილულია ევროინტეგრაციის თეორიული პრობლემები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია სახელმწიფოს მიზანსა და საშუალებებზე, ეგრეთ წოდებულ "დემოკრატიაზე", "კანონის უზენაესობაზე" და "საბაზრო ეკონომიკაზე".

ა. კურატაშვილი. სამეცნიერო ნაშრომში განხილულია ავტორის მიერ შემოთავაზებული მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება მეცნიერულ შემოქმედებაში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფეროში – როგორც ხალხის ინტერესებისათვის ეფექტიანი სახელმწიფო მართვის აუცილებელი წინაპირობა.

ა. კურატაშვილი. სამეცნიერო ნაშრომში განხილულია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და დოქტორანტების მომზადების სამართლებრივი პრობლემები.

ა. კურატაშვილი. სამეცნიერო ნაშრომში განხილული და დასაბუთებულია ავტორის პოზიცია, რომლის თანახმად ჩინეთის პოლიტიკური სისტემა – ეს არის არა კაპიტალიზმი, არამედ ადმინისტრაციულ-საბაზრო სოციალიზმი, რომელიც მიდის ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობის გზით.

ა. კურატაშვილი. სამეცნიერო ნაშრომში განხილულია ყოველი ადამიანის ინტერესებისათვის ეკონომიკის, საზოგადოების, სახელმწიფოს და კაცობრიობის პროგრესული განვითარების ავტორის მიერ შექმნილი კარდინალურად ახალი ფილოსოფიურ-სამართლებრივი საფუძვლები.

კერძოდ, პროგრესული განვითარების კარდინალურად ახალი თეორიული საფუძვლების სახით განხილულია: სოციალური მიზნის ფილოსოფია, ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია, თანამდებობოს პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია.

ა. კურატაშვილი. სამეცნიერო ნაშრომში განხილულია სახელმწიფოში ხალხის გენოციდის შენიღბული ფორმით "დაკანონება" – როგორც ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული.

თ. ლაზარაშვილი, მ. მელაშვილი. ნაშრომში გაშუქებულია საფინანსო სისტემის არსებული მდგომარეობა და თავისებურებები საქართველოში. კერძოდ გაშუქებულია საქართველოში სახელმწიფო საწარმოების მართვის, საბანკო სისტემის განვითარების, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბებისა და განვითარების და საპენსიო და სადაზღვევო სისტემის მდგომარეობის თავისებურებები. გამოვლენილია ამ სფეროებში არსებული დადებითი და უარყოფითი მხარეები და დასახულია მათი სრულყოფის ძირითადი მიმართულებები.

თ. ლაზარაშვილი, ნ. ბიბილაშვილი. სტატიაში განხილულია ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბების და განვითარების ძირითადი გზები და მიმართულებები საქართველოში. აგრეთვე გაანალიზებულია საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის თავისებურებანი, გამოვლენილია დადებითი და უარყოფითი მხარეები და დასახულია ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების სრულყოფის გზები.

მ. მელაშვილი, ნ. ქისტაური. ნაშრომში განხილულია საბიუჯეტო პოლიტიკა, როგორც სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი რგოლი, რომლის სწორად წარმართვაზე დიდადაა

დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და ამით მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, განხილულია ბიუჯეტის ძირითადი ამოცანები, ფუნქციები, პრინციპები და სრულყოფის გზები.

მ. მელაშვილი, ნ. ქისტაური. ნაშრომში გაანალიზებულია თანამედროვე ეკონომიკის ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, როგორიცაა საგადამხდელო ბალანსი, მისი რეგულირების სხვადასხვა კონცეფციები და მოდელები. ავტორებს მოტანილი აქვთ შესასწავლი პრობლემის შესახებ ისეთი საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტთა შეხედულებები, როგორებიც არიან: დ. იუმი, დ. რიკარდო, ა. სმიტი, დ. ჰიუ, ე.წ. კეინსიანელები, რ. ჰარროდი, ვ, ვალრასი, ჯ, მილი, რ. მოლერი, რ, მანდელი, ი. ტინბერგერი და სხვები. ნაშრომში აგრეთვე განხილულია საქართველოს საგადამხდელო ბალანსის ბოლო წლების მდგომარეობა და სავაჭრო ბალანსის ძირითადი უარყოფითი მაჩვენებლების მიზეზები.

მ. მელაშვილი, ნ. ქისტაური, ქ. ქველაძე. ნაშრომში გაანალიზებულია მომსახურების სფეროს ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულება, როგორიცაა საინფორმაციო-საკომუნიკაციო დარგი. ბოლო წლებში მისი მნიშვნელობის უსწრაფესი ზრდა და შემდგომი განვითარების შესაძლებლობები. მსოფლიო მასშტაბით აღნიშნული დარგის სწაფმა წინსვლამ იმოქმედა საზოგადოების ცნობიერების ცვალებადობაზე და, შეიძლება ითქვას, რომ საფუძველი ჩაუყარა ახალი საზოგადოებრივი ფორმის – საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბებას. ნაშრომში ნაჩვენებია აგრეთვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის დღევანდელი მდგომარეობა და მისი განვითარებისა და მთავარ სტრატეგიულ მიზნად გადაქცევის აუცილებლობას საქართველოში.

ი. ნათელაური, თ. თაფლაძე. ნაშრომში, საქართველოს საგადასახდელო ბალანსების ინფორმაციაზე დაყრდნობით, გაანალიზებულია საქონლითა და მომსახურეობით ქვეყნის საგარეო ვაჭრობა, გამოვლენილია და შეფასებულია მათი ცვლილების ტენდენციები საანალიზო პერიოდში.

ი. ნათელაური. გაანალიზებულია საქართველოს ეკონომიკური კავშირები უკრაინასთან და რუსეთთან ამ ქვეყნებთან ობიექტური მიზეზებით გამოწვეული ცვლილებების შემთხვევაში. შემოთავაზებულია ალტერნატიული ვარიანტები და მასთან დაკავშირებული პრობლემები.

ი. ნათელაური. სტატიაში გაანალიზებულია და შეფასებული საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ცალკეული ქვეყნების მიერ 1992-2002 წლებში საქართველოსთვის გაცემული გრანტების, დახმარებების (ფინანსური, ტექნიკური და ჰუმანიტარული) რაოდენობრივი მაჩვენებლები და მათი მიმღები სფეროების სპექტრი.

ი. ნათელაური. ნაშრომში გაანალიზებულია მეფუტკრეობის ორი პროდუქტიდან თაფლისათვის მსოფლიო წარმოება და მსოფლიო ბაზარი, სანთლისათვის დანიშნულება და მნიშვნელობა, ძირითადად აზიისა და ევროპის ქვეყნების მაგალითზე; გამოკვლეულია თაფლის მსოფლიო წარმოებაში არსებული ტენდენციები და მოსალოდნელი ცვლილებები. სანთელთან მიმართებაში აქცენტირებულია საეკლესიო სანთელი, მისი ისტორიული მნიშვნელობა და დანიშნულება.

ი. ნათელაური. საქართველოს საგადასახდელო ბალანსების მიხედვით გაანალიზებულია და ერთმანეთთან შედარებულია მიმდინარე ოპერაციების ანგარიშები, კაპიტალური და ფინანსური ანგარიშები და სარეზერვო აქტივების ცვლილება დროის ორი პერიოდის 1994-2002 წწ და 2003-2012წწ.

ზ. ნოზაძე. ნაშრომში მოცემულია საქართველოში წყლის რესურსების გაჭუჭყიანებით და არარაციონალური გამოყენების შედეგად მიყენებული ეკონომიკური ზარალის შეფასება. მოცემულია კონკრეტული წინადადებები და რეკომენდაციები წყლის რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების საქმეში, რაც საბოლოოდ შეამცირებს ქვეყნის ეკონომიკური ზარალის სიდიდეს.

ვლ. პაპავა, თ. თაფლაძე. სტატიაში განხილულია ლიბერტარიანიზმის კლასიკური მოდელის ქართული მოდიფიკაცია, რომელიც ეფუძვნება მხოლოდ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების დაცვას და ეკონომიკური მეცნიერების უცოდინრობას.

ვლ. პაპავა. სტატიაში განხილულია საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პრობლემა. თუკი გვინდა საქართველო ოდესმე ევროპის განუყოფელ ნაწილად იქცეს, აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკის ევროპული ტიპის საბაზრო ეკონომიკის მიმართულებით ტრანსფორმაცია. გაურვეველი რჩება რუსეთთან ურთიერთობის მომავალი, როგორც ზოგადად, ისე ეკონომიკური კუთხითაც. მართალია, ქართული წარმოების პროდუქცია რუსეთის ბაზარზე დაბრუნდა, მაგრამ ხაზი უნდა გაესვა, რომ ნაკლებად ექვემდებარება პროგნოზებს რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების სრული მასშტაბით აღდგენის შესაძლებლობა, ვინაიდან ეს საკითხი უფრო პოლიტიკური ხასიათისაა, ვიდრე ეკონომიკური.

ვლ. პაპავა. 2003 წლის ნოემბრის ვარდების რევოლუციის შემდეგ გატარებულ რეფორმები საერთაშორისო დონეზე აღიარებულია როგორც ლიბერტარიანული. ამ შეხედულების უკან იდგა ის ფაქტი, რომ ბიზნესის დასაწყება საჭირო ლიცენზიების და ნებართვების დიდი ნაწილი იქნა გაუქმებული. იმავდროულად, საქართველოს მთავრობა რეგულარულად არღვევდა საკუთრების

უფლებებს და სასამართლო სისტემა ფაქტობრივად იყო პროკურატურის კონტროლქვეშ. ქართველი იმით "ლიბერტარიანელები" განსხვავდებიან ნამდვილი ლიბერტარიანელებისაგან, რომ ქართველთათვის ლიბერტარიანიზმი არ ყოფილა ეკონომიკის ცოდნაზე დაფუძვნებული არჩევანი; პირიქით, მათთვის ასეთი არჩევანი იყო ნიღაბი ეკონომიკის არცოდნის დასაფარავად.

ზ. რევიშვილი. გაშუქებულია აგრარული სექტორის ტრანსფორმირებისა და განვითარების: ზრდის სტადიების, სტრუქტურული ტრანსფორმაციისა და დამოკიდებულების თეორიები; დუალისტური ეკონომიკის მოდელები და სხვა.

განხილულია "ფართო საფუძვლიანი, ერთმოდელიანი სტრატეგია", რომელიც ითვალისწინებს უპირატესად ყოვლისა მცირე და საშუალო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობას; ასევე გაშუქებულია "დუალისტური სტრატეგია", რომელიც განაპირობებს ბიმოდელურ სასოფლო-სამეურნეო სტრუქტურის ჩამოყალიბებას და აქცენტირებულია მსხვილი მიწათმფლობელობის ხელშეწყობაზე. საქართველოს სოფლის მეურნეობის რეფორმირებისა და მომდევნო პროცესების შედეგების გათვალისწინებით, განვითარებულია მოსაზრება "ფართო საფუძვლიანი სტრატეგიის" შემუშავებისა და განხორციელების თაობაზე.

ზ. რევიშვილი. გაშუქებულია სოფლის ქალაქისგან ჩამორჩენის თეორიული საკითხები, პრობლემის არსი და სტრუქტურა; ლიტერატურაში არსებული სოფლის მეურნეობისა და სოფლის ტრანსფორმირებასთან დაკავშირებული განსხვავებული მიდგომები. გაანალიზებულია სოფლის მეურნეობაში არსებული, რეფორმირების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიკური პრობლემები.

გაშუქებულია საქართველოს სასოფლო დასახლებების ტიპების და მათში მოსახლეობის ცვლილებების ტენდენცია; დახასითებულია სასოფლო დასახლებების ტიპები.

ზ. რევიშვილი. გაშუქებულია საქართველოს სოფლის მძიმე სოციალური მდგომარეობის: სიღარიბის, არასრული დასაქმებისა და ფარული უმუშევრეობის, სოციალური უზრუნველყოფის დაბალი დონის მიზეზები. ნაჩვენებია ქალაქთან შედარებით სოფლის სიღარიბის მაღალი დონე, სიღარიბის მეტი სიღრმე და მეტი სიმწვავე. გამახვილებულია ყურადღება სოფლად არასრული დასაქმებისა და ფარული უმუშევრობის არსებულ მდგომარეობაზე.

ზ. რევიშვილი. გაშუქებულია ეკონომიკასა და ბიზნესში სახელმწიფო ჩარევისა თუ ჩაურევლობის თეორიული საკითხები ისტორიულ ასპექტში. გამახვილებულია ყურადღება სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის კეინზიანურ მიდგომებზე. გაშუქებულია რიგი განვითარებადი და განვითარებული ქვეყნების გამოცდილება სოფლის მეურნეობის სახელმწიფოებრივი რეგულირებასთან დაკავშირებით, ნაჩვენებია ამ რეგულირების სხვადასხვა ფორმები და მეთოდები. გამახვილებულია ყურადღება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამთავრობო ინტერვენციის საჭიროებებზე და პრიორიტეტულ მიმართულებებზე.

განვითარებულია პოზიცია საქართველოში ერთიანი განსახლებითი სისტემების – „ქალაქი-სოფელი", „მუნიციპალიტეტის ცენტრი-სოფელი" ფორმირების სახელმწიფო ხელშეწყობის თაობაზე.

რ. სარჩიმელია. ნაშრომში განხილულია ეკონომიკის აქტუალური პრობლემები საქართველოს ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ფორმირებასთან დაკავშირებით და წინააღმდეგობები, რომელთა გაუთვალისწინებლობა ზარალს იწვევს და საგარეო ვაჭრობის ეკონომიკაში ბარიერებს ქმნის. დახასიათებულია პოსტსაბჭოთა საქართველოს ევროკავშირთან შეღწევის შესაძლებლობები და საგარეო ვაჭრობის ეკონომიკური ეფექტიანობა გლობალიზაციის პირობებში. დასმულია წრფივი დაპროგრამების ახალი ამოცანა და წარმოდგენილია შესაბამისი მოდელი, რომელიც საგარეო ვაჭრობის შესაძლებლობის გაფართოებას ეხება.

რ. სარჩიმელია, რ. ლორთქიფანიძე. განხილულია პრივატიზაციასთან დაკავშირებული მოსახლეობის ფენებად ფორმირების პროცესი.

დღევანდელ საქართველოში, ისევე, როგორც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, არასაკმარისია მოსახლეობის ცხოვრების საშუალო დონე. აქედან გამომდინარე, წარმოჩენილია კეთილსინდისიერი მოსახლეობის საშუალო ფენის შექმნის პრობლემა და შემოთავაზებულია რეკომენტაციები პრივატიზების ეფექტიანობისა და დირექტიული მართვის სისტემის მოდერნიზებისათვის.

შინაარსობრივ განმარტებასთან შესაბამისობაში, მოყვანილია ეკონომიკური კონკურენციის მრავალმხრივი მოდიფიკაცია, როგორც გლობალიზაციის პოტენციალის ასამოქმედებელი ფაქტორი.

განხილულია პოსტსაბჭოთა საქართველოს სოფლის მეურნეობაში პრივატიზაციის ჩატარების პრობლემურობა, რის გამოც იგნორირებულია სოფლის მიმზიდველობა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენით შექმნილია სოფლის მოსახლეობის ქალაქად მასობრივი გადასვლის წინაპირობა.

საბაზრო ეკონომიკის შესაძლებლობების სტიმულირების მიზნით, შემოთავაზებულია ყოფილი კოლმეურნეობების ბაზაზე საქართველოს ბუნებრივ-ისტორიული პროცესების წარსულში დამკვიდრებული ე.წ. "ხოდაბუნების" აღდგენა, ბაზარზე მათი ნაწარმის თავისუფალი გაცვლის

პირობით.

რ. სარჩიმელია. განხილულია საბაზრო ეკონომიკის განვითარებაზე ხელშემშლელი მბრძანებლური დაგეგმვის უარყოფითი შედეგების ინერციული გავლენა საბჭოთა კავშირის და პოსტსაბჭოთა საქართველოს ეკონომიკაზე.

გაანალიზებულია მბრძანებლური დაგეგმვის სისტემის საბაზრო ეკონომიკასთან შეუთავსებლობისა და კიბერნეტიკის რეალური განმარტების დამახინჯების შემთხვევები.

მოცემულია ფიზიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატ პეტრე კაპიცას მიერ შემუშავებული მბრძანებლური დაგეგმვის სისტემის ჯონ მეინარდ კეინზის საბაზრო ეკონომიკით მშვიდობიანი ჩანაცვლების სქემა, რომლის მიმზიდველობის მიუხედავად, იგი გამოუყენებელი დარჩა საბაზრო ეკონომიკის მბრძანებლური დაგეგმვის სისტემასთან შეუთავსებლობის მიზეზით. თუმცა სქემა, როგორც 70-იანი წლების საბჭოთა კავშირის დაშლის ოპტიმისტური პროგნოზის მაცნე, ყურადსაღები იყო მსოფლიოში.

დახასიათებულია საქართველოში ეკონომიკის მათემატიკურ-კიბერნეტიკული მიმართულება, რომელიც აკადემიკოსმა ილია ვეკუამ, დროის პროგრესული ცვლილებების გათვალისწინებით, მათემატიკის ეკონომიკაში გამოყენების პერსპექტივას დაუკავშირა და შესაბამისი პრობლემების დაფუძნებაზეც იზრუნა.

ჩატარებულია მსჯელობა იმის შესახებაც, რომ საბჭოთა კავშირში კიბერნეტიკის ცალკეული სამეცნიერო დარგის სპეციალობებად დანაწევრება შეცდომა იყო, რაც შემდგომ, რეალურად პოსტსაბჭოთა საქართველოს ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელირებაში დაზუსტდა.

თ. ქავთარაძე. ნაშრომში შესწავლილია პირუტყვის გადასარეკი ტრასების თანამედროვე მდგომარეობა, რომელმაც ცხვარი უნდა უზრუნველყოს საკვებით წლის განმავლობაში დაახლოებით 60-70 დღე. ნაჩვენებია, რომ ყიზლარის საზამთრო საძოვრების დაკარგვის შემდეგ, ყაზბეგის, დუშეთის, ახალგორის, თიანეთის რაიონის მეცხვარეობას არ გააჩნია საქართველოს ზამთრის საძოვრებზე ცხვრის გადასარეკი ტრასა. ნაშრომში პირველადაა წამოყენებული წინადადება, რომ ჩრდილოკავკასიელ მწყემსებთან ერთად ერთობლივად შეიქმნას ფერმერული საწარმოები, რომელთა ცხვარი ყიზლარის ზამთრის საზოვრებზე გამოიზამთრებდა, ზაფხულს კი ჩვენი მთების საძოვრებზე გაატარებდა.

თ. ქავთარაძე. ნაშრომში შესწავლილია რძის შესყიდვის პრობლემები საქართველოში. გამოვლენილია არაეფექტურობის მიზეზები. პირველადაა წამოყენებული წინადადება, ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყოს, რომ წლის დასაწყისში რძის ქარხნებმა ფერმერულ მეურნეობებს მისცენ ფულადი ავანსი, რომელიც რძის შესყიდვის ანგარიშში თანდათან დაიფარება. დადგენილია, სოფლად მერძევეობის ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხები დაიყვანება მხოლოდ, გლეხების მიერ რძის შემკრებ პუნქტებში რძის ჩაბარებით. წამოყენებულია წინადადება რძის შესყიდვის ცენტრალური გადაზიდვის დანერგვით, სატრანსპორტო ხარჯებისაგან გამოთავისუფლდებიან ფერმერული მეურნეობები, ხოლო რძის მრეწველობის საწარმოები პასუხისმგებელი გახდებიან რძის შესყიდვა-დაბინავებაზე.

თ. ქავთარაძე. ნაშრომში შესწავლილია ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი, რომელიც მიმართულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ფასწარმოქმნისა და შესყიდვების განსახორციელებლად. წამოყენებულია წინადადება, ფასწარმოქმნის დროს გათვალისწინებული იქნას ყველა დარგისა და კულტურის რენტაბელობა. ერთი დარგისა და კულტურის მეორე დარგისა და კულტურის ხარჯზე მუდმივად შენახვა მიზანშეწონილად არ შეიძლება ჩაითვალოს. ნაშრომში შესწავლილია რძისა და პირუტყვის შესყიდვის აქტუალური პრობლემები საქართველოში; ყურადღებაა გამახვილებული მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვის ხარისხოვანი მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე; პირველადაა წამოყენერბული ყურძნისა და ციტრუსების მსგავსად დოტაცია დაწესდეს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაშიც.

ქ. ქველაძე. სტატიაში განხილულია ტურიზმის, როგორც მომსახურების დარგის, განვითარების ზოგიერთი ასპექტი და მისი გავლენა საქართველოს ეროვნულ ეკონომიკზე, ასევე მიმოხილულია საქართველოში მომსახურების სფეროს ის ზოგიერთი ეკონომიკური მახასიათებელი და მოცულობები, რომლებსაც ძირეული ცვლილებების მოხდენა შეუძლიათ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განვითარებაში და გამოყოფილია ეროვნული ტურიზმის განვითარების ის ხელშემშლელი ფაქტორები, რომელთა შემცირება ან აღმოფხვრა უზრუნველყოფს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ფართო მასებისათვის სამუშაო ადგილების შექმნასა და ადგილობრივი მოსახლეობის აქტიურ ჩართულობას ეროვნული ეკონომიკური განვითარების პროცესში.

ქ. ქველაძე, ნ. ქისტაური, მ. მელაშვილი, ნაშრომში განხილულია თანამედროვე ეკონომიკის განვითარების ძირითადი ტენდენცია - მომსახურების სფეროს უსწრაფესი ტემპით ზრდა. აქ განხილულია მომსახურება, როგორც საქონელი, მისი სპეციფიკური მხასიათებლები, სახეობები და ამ სახეობათა ჯგუფების საერთაშორისო კლასიფიკაცია; გაანალიზებულია საქართველოში

მომსახურების სახეობათა თითოეული ჯგუფი საკმაოდ მდიდარი ციფრობრივი მასალის საფუძველზე, რომელიც ძირითადად ცხრილების სახითაა მოყვანილი. ნაშრომში ასევე განხილულია მომსახურების სფეროს შემდგომი სრულყოფისა და საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე მისი გავლენის ძირითადი ფაქტორები, გზები და პერსპექტივები.

ნ. ქისტაური, მ. მელაშვილი. ნაშრომი ეძღვნება დღეისათვის მეტად აქტუალურ თემას - უცხოური ინვესტიციების როლს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

კაპიტალის საერთაშორისო მასშტაბით მოძრაობამ წარმოქმნა უცხოური ინვესტიციების უზარმაზარი მოცულობა, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, მათ რიცხვშია საქართველოც. საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ უცხოური ინვესტიციების განხორციელებას გააჩნია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები, რაც ნაშრომში არის ნაჩვენები. ასევე გაანალიზებულია საქართველოში ბოლო (2006-2014) წლების მიხედვით უცხოური ინვესტიციების განხორციელების ციფრული მონაცემები.

თ. ჩხეიძე. სტატიაში „მდგრადი ეკონომიკური განვითარების პრობლემები საქართველოში“ გაანალიზებულია ბუნებრივი რესურსების კერძოდ, მიწის, წყლის, ტყის რესურსების გამოყენებისა და დაცვის პრაქტიკულ ღონისძიებათა სისტემა. ნაჩვენებია, აღნიშნულ ბუნებრივ რესურსთა ამჟამინდელი მდგომარეობა: მაგ. საქართველოს მიწის ფონდში სახნავი მიწების ფართობი თანდათან შემცირების ტენდენცია, რომლის ძირითადი მიზეზებია: ნიადაგის ეროზია, გაუდაბნოება, დეგრადაცია და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების არასასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის გამოყენება. ამას ემატება მარცვლეული კულტურების (ხორბალი, სიმინდი) ენერგეტიკული მიზნებისათვის გამოყენება. ასევე გამოიკვეთა ქვეყნის წყლის რესურსების დაბინძურების მაღალი მაჩვენებელი, რის გამოც წყლის რესურსი გამოუსადეგარი გახდა საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის. ამასთან მასიურად ტყის უნებართოდ ჭრებმა განაპირობა ნიადაგდაცვითი, წყლის რეჟიმის მარეგულირებელი, ჰაერგამწმენდი ფუნქციების მოშლა, რამაც განაპირობა მეწყრული, ეროზიული პროცესების გააქტიურება.

სტატიაში განხილულია იმ ღონისძიებათა სისტემა, რომლებიც უნდა განხორციელდეს ქვეყნის ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და დაცვისათვის, რითაც ხელი შეეწყობა საქართველოში მდგრად ეკონომიკურ განვითარებას.

თ. ჩხეიძე. სტატიაში ნაჩვენებია, რომ გაუდაბნოება (გავერანება – თ. ჩ.) არის პროცესი, რომელსაც შეუძლია ადამიანის ნორმალური საცხოვრებელი გარემოს შეცვლა უდაბნოდ, რომლის შედეგია მიწის დეგრადაცია და ნაყიერი მიწის უნაყოფო მასად გადაქცევა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გაუდაბნოება გამოაცხადა, როგორც გლობალური პრობლემა, რომელსაც უკავშირდება მოსახლეობის სიღარიბე და შიმშილი.

გაუდაბნოების მიზეზი შეიძლება იყოს ბუნებრივი პირობები (კლიმატი და ა.შ.) და ადამიანის სამეურნეო მოქმედება.

სტატიაში საიახლის მატარებელია, ის რომ სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ, მოსახლეობის ზრდამ, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციამ და სხვა ანთროპოგენულმა ფაქტორმა გააძლიერა ნიადაგზე ადამიანის ზემოქმედების მასშტაბები, რაც აუნაზღაურებელ ზიანს აყენებს ნიადაგს არასწორი ექსპლუატაციით და გარემოს დაბინძურების უპრეცედენტო მასშტაბებით, რაც ნიადაგის დეგრადაციისა და შემდგომი გავერანების წინაპირობაა.

თ. ჩხეიძე. სტატიაში ბუნებრივი რესურსები განხილულია, როგორც ბუნების ელემენტები, ობიექტები და მოვლენები, რომლებიც გამოიყენება სამურნეო საქმიანობაში, საზოგადოების მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ხელს უწყობს შრომითი რესურსების კვლავწარმოებას და ცხოვრების ხარისხის ამაღლებას. ამავე დროს ბიოსფეროს თვითგანვითარებისა და განახლების შესაძლებლობებს საზღვარი გააჩნია, რომლის დარღვევა გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზების გამო. გამომდინარე იქიდან, რომ მისი დარღვევა საშიშია მთელი კაცობრიობისათვის, საჭიროა ბუნებრივი რესურსების ოპტიმალური გამოყენება, რათა არ დაირღვეს ბალანსი ბიოსფეროს კომპონენტებს შორის.

სტატიაში ხაზგასმულია ის რომ, ბოლო დროს უფრო ხშირად გაისმის გამაფრთხილებელი ხმები იმის შესახებ, რომ კაცობრიობას დიდხანს აღარ ეყოფა ბუნებრივი რესურსები და ზოგიერთი სახეობა ამოწურვის საშიშროების ქვეშაც კი არის, ხოლო მათი შევსება ან განახლება შეუძლებელია. ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება და დაცვა კაცობრიობის უპირველესი საზრუნავია.

თ. ჩხეიძე, ქ. ქველაძე. სტატიაში განხილულია ბუნებრივი რესურსები და მათი როლი ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებაში. ასევე აღნიშნულია რომ, ბუნებრივ-რესურსულ პოტენციალში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მიწის რესურსს, როგორც უვადო აქტივს და სოფლის მეურნეობის წარმოების ძირითად საშუალებას.

დედამიწაზე მოსახლეობის ზრდამ, ტრანსპორტის განვითარებამ, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციამ და სხვა ანთროპოგენულმა მოვლენებმა გააძლიერა ნიადაგზე ადამიანის

ზემოქმედების მაშტაბები, რაც აუნაზღაურებელ ზიანს აყენებს ნიადაგს. მხედველობაშია მისაღები, რომ ქვეყნის სავარგულების უმეტესობა დეფლიაციას განიცდის, ნიადაგის ნაყოფიერი ფენა დეჰუმინიზირებულია. დარღვეულია თესლბრუნვა და აგროტექმომსახურება. ბრუნვაში ახალი მიწების ჩართვის მიუხედავად სახნავი მიწების ფართობები სულ უფრო და უფრო მცირდება. ამის მთავარი მიზეზია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება, მიწების დამლაშება, გაუდაბნოება, ეროზია, დაჭაობება და ა.შ., რის წინააღმდეგაც საჭირო ღონისძიებები არ ტარდება.

სტატიაში ნაჩვენებია რომ, მიწის რესურსის ოპტიმალურად გამოყენება კიდევ უფრო გაართულა მიწის რეფორმის ხარვეზებით ჩატარებამ (საპრივატიზაციო მიწების პატარ-პატარა ნაკვეთებად დაქუცმაცებამ). ბოლო დროს მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის დასახმარებლად ინიცირებული პროექტები, როგორიც არის - „შეღავათიანი აგროკრედიტი“, „აწარმოე საქართველოში“, „აგროდაზღვევა“, „დანერგე მომავალი“ და სხვა. ხელს შეუწყობს ქვეყნის მიწის ფონდის რაციონალურად გამოყენებას.

თ. ჩხეიძე, ქ. ქველაძე. სტატიაში ნაჩვენებია, რომ ტერმინები „მიწა“ და „ნიადაგი“ სინონიმები არ არიან, რომ მათ შორის არსებითი სხვაობაა. ნიადაგი ნაყოფიერებით განსხვავდება უნაყოფო მიწისაგან. ამიტომ ავტორებს მართებულად მიაჩნიათ, რომ სოფლის მეურნეობის წარმოების ძირითადი საშუალება არის ნიადაგი და არა მიწა.

ამ ორი ტერმინის სინონიმად გამოყენება იწვევს, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული ხასიათის პრობლემებს. ასე მაგალითად საგადასახადო კოდექსის მიხედვით მიწაზე გადასახადი იანგარიშება მიწის ხარისხიანობისა და ამორტიზაციის მიხედვით. რაც მიწას არ გააჩნია. ამიტომ მართებულია მიწის გადასახადი იანგარიშებოდეს არა უნაყოფო არაამორტიზებადი მიწის მიხედვით, არამედ ნაყოფიერი ამორტიზებადი ნიადაგის მიხედვით.

მ. ცუცქირიძე. სტატიაში განხილულია ბიზნესის ორგანიზაციული სისტემის განვითარების მნიშვნელოვანი ასპექტები, წარმოებისა და მომსახურები პროცესების ორგანიზებისა და ნაციონალურად წარმართვის გზები. თანამედროვე საბაზრო გარდაქმნების ვითარებაში. გამოკვლეულია ბიზნესის ორგანიზაციის ეფექტიანობისა და შემოსავლების ზრდაზე მოქმედი ფაქტორები. რაც ბიზნესის განვითარებისათვის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს წარმოადგენს.

მ. ცუცქირიძე. ნაშრომში განხილულია ბიზნესის განვითარების კანონზომიერებები. მათ შორის ძირითადად გაანალიზებულია წარმოებისა და მომსახურების სისტემის განვითარებაზე დასაქმების, ინოვაციური და სხვა ფაქტორების გავლენა, ბიზნესის საქმიანობის დარგობრივ სახეობათა გამოკვლევის შედეგები საქართველოს ბიზნესის სექტორთან, მის ორგანიზაციულ სისტემებსა და საბაზრო გარემოსთან ურთიერთშესაბამისობაში.

მ. ხუსკივაძე. ნაშრომში შემოთავაზებულია საქართველოში შემოსვლით ტურიზმზე მოთხოვნის ეკონომეტრიკული ანალიზი 2008-2014 წლებში ე.წ. ტოპ 15 ქვეყნის მონაცემების საფუძველზე. შემოსვლით ტურიზმზე მოთხოვნის დეტერმინატებად შემოთავაზებულია ტურისტთა წარმოშობის ქვეყნებში მშპ ერთ სულ მოსახლეზე, გაცვლითი კურსი, ღამისთევის ღირებულება, საჰაერო მგზავრობის ღირებულება, სახმელეთო ტრანსპორტით გადადგილების ღირებულება, ლაგური ცვლადი-ტურისტული დანიშნულების ადგილისადმი გრავიტაცია (მიზიდულობა), ტურისტულია ორგანიზაციების რაოდენობა საქართველოში, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომისა და 2008 წელს დაწყებული მსოფლიო ფინანსური კრიზისის ამსახველი ფიქტიური ცვლადები.დინამიკური ეკონომეტრიკული მოდელის შეფასებებით გამოიკვეთა ის დეტერმინატები, რომლებიც არსებით ზეგავლენას ახდენენ შემოსვლით ტურიზმზე მოთხოვნის ფორმირებაში.

მ. ხუსკივაძე, ზ. ნოზაძე. ნაშრომში ჩატარებულია საქართველოში მდგრადი განვითარების არსებული მდგომარეობის შეფასება საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალურ-ინსტიტუციური კრიტერიუმების მიხედვით. განხილულია საქართველოში ეკოლოგიური პრობლემების წარმოშობის ძირითადი მიზეზები პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის დაწყებიდან დღემდე.

რ. ჯავახიშვილი. ევროკავშირი სადღეისოდ არის ეკონომიკური ინტეგრაციის უმაღლესი ფორმა, ყველაძე მძლავრი და სიცოცხლისუნარიანი გაერთიანება და რომელსაც გააჩნია მდგრადი ეკონომიკური განვითარების უდიდესი პოტენციალი. საქართველოს და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით განისაზღვრება ახალი დიდი გამოწვევები და ამოცანები ქვეყნის ეკონომიკისა და მისი ცალკეული დარგების დაჩქარებული განვითარების მიმართულებით. ნაშრომში გაანალიზებულია როგორც მაკროეკონომიკური, ისე ეკონომიკის ცალკეული დარგებისა და სფეროების წინაშე მდგარი გამოწვევები. ასოცირების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი ქვეყნის ეკონომიკის რეფორმირების, საკანონმდებლო-

ნორმატიული ბაზის სრულყოფისა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან, სტანდარტებსა და რეგულაციებთან მათი ეტაპობრივი დაახლოების საკითხების კვლევას.
რ. ჯავახიშვილი. ნაშრომში გაანალიზებულია საქართველო-ევროკავშირს შორის საგარეო ვაჭრობის ძირითადი მაჩვენებლები. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებიდან გამომდინარე, ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი როგორც სატარიფო, ისე ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების დაძლევის, პროდუქციის ხარისხის, სანიტარული და ფიტოსანიტარული მოთხოვნების დაკმაყოფილების უზრუნველყოფის, საბაჟო და საგადასახადო საქმიანობის ძირეული რეფორმირების, მარეგულირებელი სავაჭრო კანონმდებლობის სრულყოფისა და სტაბილურობის, სავაჭრო და საბაჟო პროცედურების პროპორციულობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობისა და პროგნოზირებადობის, საბაჟო გაშვების გამარტივებისა და ხელშეწყობის პრობლემების კვლევას.
რ. ჯავახიშვილი. ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარების ძირითადი მაჩვენებლები: საქონელბრუნვის დინამიკა და სტრუქტურა, საქართველოს ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურაში მომხდარი ძვრები, საქართველოს საგარეო ვაჭრობის დივერსიფიკაციის ძირითადი მიმართულებები.
ევროკავშირთან ასოცირების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სალდოს შემცირების, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გადიდების, საგარეო ვაჭრობის დივერსიფიკაციისა და საგარეო ბაზრებზე დამკვიდრების პრობლემების კვლევას.
რ. ჯავახიშვილი. ევროკავშირთან ასოცირების პროცესში განსაკუთრებით დიდი გამოწვევები იკვეთება სოფლის მეურნეობის განვითარების სფეროში. ნაშრომში საფუძვლიანადაა გამოკვლეული სოფლის მეურნეობის განვითარების არსებული დონე და სტრუქტურა, მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და მათზე მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილების დონე, ამ სფეროში არსებული ნაკლოვანებები და მათი დაძლევის ძირითადი გზები, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია: სოფლის მეურნეობის წარმოების მოდერნიზაციისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა; მიწის ფონდის რაციონალური მართვა; მელიორაციული სისტემების გაუმჯობესება; დარგის კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლება; სოფლის მოსახლეობის დასაქმება და მისი სიღარიბის დაძლევა; სოფლის მეურნეობაში სადაზღვევო საქმიანობის გაფართოება და გაუმჯობესება; დარგის განვითარების ფინანსური უზრუნველყოფა; სოფლის მეურნეობის პროდუქტების გასაღების ბაზრების დივერსიფიკაცია და სხვ.

II. 2. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	აბესაძე რამაზი	ЭКОНОМИЧЕСКИЙ РЕГРЕСС. წიგნში: E – gospodarka. w Europie ŚRODKOWEJ I WSCHODNIEJ. Te raźniejszść I perspektywy rozwoju. “Wydawnictwo KUL”.		Lublin. 2015	
2	ასათიანი როზეტა	Теории конкуренции и новые перспективы стран ориентированных на конкурентноспособность.	жур. „Кавказ и глобализация“.	Ca&CC Press, Швеция, 2015.	0,9
3	ბერულავა გია	ფირმის საქმიანობაზე ნდობაზე აგებული ურთიერთობების	სტატიების კრებული:	Drukarnia GS,Cracow,	8

		გავლენა: გარდამავალი ეკონომიკების მაგალითზე (The Impact of Trust-Based Relations on Firm's Performance: Evidence from Transition Economies).	მენეჯმენტის მეცნიერება დესტაბილიზაციის დროს: ლოკალური იდეები, კრაკოვის ეკონომიკის უნივერსიტეტი, კრაკოვი-თბილისი.	Poland».	
4	ბურდული ვახტანგი	Georgia: Problems of Increasing National Economic Self-sufficiency (Sectoral-Structural Aspects). – Central Asia and the Caucasus (Journal of Social and Political Studies).	Volume 16, Issue	*CA&CC Press*® SWEDEN 2015	2,14
5	კვარაცხელია მურმანი	პიროვნების როლი თანამედროვე ეკონომიკური საზოგადოების ფორმირებაში. შრომების კრებულში:" *СТРАТЕГИИ ФОРМИРОВАНИЯ Е-ЭКОНОМИКИ И Е-ОБЩЕСТВА В ЦЕНТРАЛЬНОЙ И ВОСТОЧНОЙ ЕВРОПЕ: СОСТОЯНИЕ И ПЕРСПЕКТИВЫ РАЗВИТИЯ.*		ლუბლინი. პოლონეთი. 2015 წ.	6
6	პაპავა ვლადიმერი	Necroeconomics of Post-Soviet Post-Industrialism and the Model of Economic Development of Georgia and Russia.("პოსსაბჭოთაპოსტინდუსტრიალიზმის ნეკროეკონომიკა და საქართველოს და რუსეთის ეკონომიკური განვითარების მოდელები"). ჟურნალში "Journal of Business and Economics" ("ბიზნესისა და ეკონომიკის ჟურნალი").	ტომი 6, № 5	აშშ	0,8
7	პაპავა ვლადიმერი	Economic Models of Eurasianism and the Eurasian Union: Why the Future is Not Optimistic. ("ევრაზიიზმისა და ევრაზიული კავშირის ეკონომიკური მოდელები: რატომ არ არის მომავალი ოპტიმისტური") ანალიტიკურ ელექტრონულ გამოცემაში "The Central Asia-Caucasus Analyst" ("ცენტრალური აზია-კავკასიის ანალიტიკოსი")	http://cacianalyst.org/publications/analytical-articles/item/13296).	აშშ	0,2 ნ.თ.
8	კურატაშვილი ალფრედი	ТЕОРИЯ ВЕРХОВЕНСТВ ИНТЕРЕСОВ НАРОДА ОПРЕДЕЛЯЮЩАЯ ПРАВОВА ОСНОВА ГУМАННОСОЦИАЛЬНО НАЦЕЛЕНОСТИ ГОСУДАРСТВЕННОГО УПРАВЛЕНИЯ «Современные проблем государственного и муниципальног		Академия муниципальног о управления. Киев:	0,2 п.л.

		управления». *МАТЕРИАЛ МЕЖДУНАРОДНОЙ НАУЧНО ПРАКТИЧЕСКОЙ КОНФЕРЕНЦИИ посвященной 20-летию Академии* апреля 2015 года). в 2-х частях. Ч. I.			
9	კურატაშვილი ალფრედი	ТЕОРЕТИЧЕСКИЕ ОСНОВЫ ПОСТРОЕНИЯ ИНОВАЦИОННОЙ ЭКОНОМИКИ И ИСТИННО ЧЕЛОВЕЧЕСКОГО ОБЩЕСТВА И ГОСУДАРСТВА. Сборник материалов XVIII МЕЖДУНАРОДНОЙ НАУЧНО-ПРАКТИЧЕСКОЙ КОНФЕРЕНЦИИ, посвященной 20-летию УДУФМТ:		28-29 апреля. (Киев, Украина).	0,2 п.л.
10	კურატაშვილი ალფრედი	НОВЫЕ НАУЧНЫЕ НАПРАВЛЕНИЯ, НАЦЕЛЕННЫЕ НА СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКОЕ РАЗВИТИЕ ОБЩЕСТВА И ГОСУДАРСТВА В ИНТЕРЕСАХ НАРОДА. Materials of International scientific–practical conference: “ECONOMIC DEVELOPMENT: PROCESSES AND TENDENCIES” VILNIAUS KOLEGIJA / UNIVERSITY OF APPLIED SCIENCES FACULTY OF ECONOMICS. I VOL.		Vilnius, Lithuania 29 April, 2015.	1,1 п.л.
11	კურატაშვილი ალფრედი	ПРИНЦИПИАЛЬНО НОВЫЕ ТЕОРЕТИЧЕСКИЕ ОСНОВЫ ИННОВАЦИОННОГО РАЗВИТИЯ ЭКОНОМИКИ, ОБЩЕСТВА И ГОСУДАРСТВА. Кубанская школа развития местных сообществ: Материалы научно-практической конференции с международным участием (20-25 мая 2015 г.) / отв. ред. Т.А. Мясникова.		Краснодар (Россия): Кубанский государственный университет.	1,0 п.л.
12	კურატაშვილი ალფრედი	ТЕОРИЯ СБАЛАНСИРОВАННОСТИ ПРАВ И ОТВЕТСТВЕННОСТИ ДОЛЖНОСТНЫХ ЛИЦ И НЕОБХОДИМОСТЬ ЕЕ ВНЕДРЕНИЯ В УПРАВЛЕНИИ ОБЩЕСТВОМ И ГОСУДАРСТВОМ ВО ВСЕМИРНОМ МАСШТАБЕ В ИНТЕРЕСАХ КАЖДОГО ЧЕЛОВЕКА. Материалы XVI Международной научной конференции: «СТРАТЕГИИ ФОРМИРОВАНИЯ Е ЭКОНОМИКИ И Е-ОБЩЕСТВА В ЦЕНТРАЛЬНОЙ И ВОСТОЧНОЙ ЕВРОПЕ: СОСТОЯНИЕ И ПЕРСПЕКТИВЫ РАЗВИТИЯ» Монография, состоящая из статьей (докладов). Под редакцией Славомира Партицкого.		Люблинский католический университет Иоанна Павла II (Польша). Люблин: Издательство KUL, 2015 25-27 мая Наленчов (Польша)	**0,65 п.л.**

13	კურატაშვილი ალფრედი	ТЕОРЕТИЧЕСКИЕ ОСНОВЫ НАЛОГОВОЙ ПОЛИТИКИ ИСТИННО ЧЕЛОВЕЧЕСКОГО ОБЩЕСТВА И ГОСУДАРСТВА. НАЛОГОВАЯ СИСТЕМА В УСЛОВИЯХ СОВРЕМЕННЫХ ТРАНСФОРМАЦИЙ. Материалы XV-ой Международнй научно-практической интернет-конференции:		*г. Донецк 11 декабря 2015 г.* Донецкий национальный университет экономики и торговли имени Михаила Туган-Барановского.	0,4 п.л.
14	კურატაშვილი ალფრედი	ПОЛИТИКО-ПРАВОВЫЕ ОСНОВЫ НАЛОГОВОЙ СИСТЕМЫ, СЛУЖАЩЕЙ ИНТЕРЕСАМ НАРОДА. РЕФОРМИРОВАНИЕ НАЛОГОВОЙ СИСТЕМЫ УКРАИНЫ В СООТВЕТСТВИИ С ЕВРОПЕЙСКИМИ СТАНДАРТАМИ: Материалы VII Международнй научно-практической конференции, Национальный Университет Государственной Налоговой Службы Украины, Научно-исследовательский институт налогообложения. (Ирпень, Украина). – Ирпень: Национальный Университет Государственной Налоговой Службы Украины.		22 декабря 2015 г.	0,25 п.л.

ანოტაციები ქართულ ენაზე

რ. აბესაძე. განსაზღვრულია ეკონომიკური რეგრესის დეფინიცია, არსი და წყაროები, სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკის მესაჭის რაობა.

გ. ბერულავა. ამ ნაშრომის მიზანია გარდამავალ ეკონომიკებში ფირმის საქმიანობაზე ნდობაზე დაფუძვნებული ურთიერთობების გავლენის ანალიზი. ნაშრომის მთავარი წვლილი მდგომარეობს იმაში, რომ ის უზრუნველყოფს ახალ ემპირიულ შეხედულებას გარდამავალ ეკონომიკებში ნდობაზე დაფუძვნებული ურთიერთობების და ბიზნეს საქმიანობის შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირზე. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ კონტრაქტული ურთიერთობების არაფორმალური ნდობაზე დაფუძვნებული ინსტიტუტები წარმოადგენენ ბიზნესის საქმიანობის გაუმჯობესობის მნიშვნელოვან მიმართულებას გარდამავალ ეკონომიკებში.

ვ. ბურდული. ნაშრომში განხილულია საქართველოს ეკონომიკის თვითკმარობის დონის ამაღლების პრობლემები მისი დარგობრივი სტრუქტურის გაუმჯობესების, ექსპორტის დივერსიფიკაციისა და მისი მოცულობის ზრდისა, ასევე, იმპორტჩანაცვლებითი პროდუქციის მასშტაბების გაფართოების საფუძველზე.

შემოთავაზებულია სტრუქტურული ეფექტის გარკვეული გაგება (უპირატესად მისი სტრუქტურულ-დარგობრივი ასპექტების) და გამოკვლეულია მისი შეფასების ხერხები. ამასთან, მთავარი როლი ენიჭება ეკონომიკის თვითკმარობის დონის შეფასებას. ეკონომიკის თვითკმარობის დონე გამოკვლეულია გამსხვილებული დარგობრივი ჯგუფების ჭრილში; შემოთავაზებულია საქართველოს ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებები (პრიორიტეტული დარგების წინმსწრები განვითარების გზით).

განსაზღვრულია საქართველოს სტრუქტურულ-დარგობრივი პოლიტიკისა და მისი ინსტრუმენტების სრულყოფის მიმართულებები; მხედველობაში მიღებულია ის შესაძლებლობები, რომლებსაც გვაძლევენ საქართველოს ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ შეთანხმების დებულებები (მიზანდასახულობები, მიწერილობები).

მ. კვარაცხელია. სტატიაში განხილულია პიროვნების ფორმირების გენეზისის პრობლემები, პოსტსაბჭოთა ადამიანის ჩამოყალიბების ფორმები, მისი გარდაქმნა საბაზრო ეკონომიკის ტიპის ეკონომიკურ ადამიანად, როგორც ტრანსფორმაციის შედეგი, რომლის მისიას წარმოადგენს ახალი საზოგადოების აშენება თანამედროვე მსოფლიოს შესაბამისად.

ვლ. პაპავა. სტატიაში შესწავლილია ნეკროეკონომიკაზე დაფუძნებული პოსტსაბჭოთა პოსტინდუსტრიალიზმის თავისებურებები. რუსეთის ეკონომიკის დიდმა მასშტაბებმა საქართველოსთან შედარებით უფრო გაამწვავა ნეკროეკონომიკის პრობლემა გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის პირობებში. ნაჩვენებია, რომ დღეისათვის საქართველოსა და რუსეთშიც არსით ერთნაირი ღარიბი ქვეყნის მომხმარებლური მოდელი.

ვლ. პაპავა. სტატიაში გაანალიზებულია ევრაზიიზმისა და ევრაზიული კავშირის ეკონომიკური მოდელები. ნაჩვენებია, რომ ამ ორ მოდელს საერთო თითქმის არაფერი აქვს, თანაც ევრაზიიზმის ეკონომიკური მოდელი განუხორციელებელია თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში. ევრაზიული კავშირის ეკონომიკური მოდელი კი ეფუძვნება რუსული ენერგეტიკული რესურსებიდან მიღებული შემოსავლების ამ კავშირის წევრ-სახელმწიფოებზე გადანაწილების მექნიზმს. რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის მიერ მიღებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა და მათ საწინააღმდეგოდ მოსკოვის მიერ მიღებულმა ანტისანქციებმა ცხადყო ევრაზიული კავშირის ეკონომიკური მოდელის ხელოვნურობა და, შესაბამისად, არაპერსპექტიულობა.

ალ. კურატაშვილი. სამეცნიერო ნაშრომში განხილულია ავტორის მიერ შექმნილი თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია და მეცნიერულად დასაბუთებულია მისი დანერგვის აუცილებლობა საზოგადოების და სახელმწიფო მართვაში მსოფლიო მასშტაბით, რომლის გარეშე ყოველი ადამიანის ინტერესების რეალიზაცია წარმოუდგენელია.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	აბესაძე რამაზი	მდგრადი განვითარების ეკონომიკური ასპექტები	10-11 ივლისი, თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი **(საერთაშორისო კონფერენცია)**
2	აბესაძე რამაზი	თანამედროვე ტექნოლოგიები და ეკონომიკური განვითარება.	**საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია** „თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში“. თსუ, თბილისი.
3	ასათიანი როზეტა	საკურორტო-ტურისტული ინდუსტრიის განვითარების თავისებურებები საქართველოში.	10-11 ივლისი, თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი **(საერთაშორისო კონფერენცია)**
4	არევაძე ნანული	შავი და ფერადი მეტალურგია მრეწველობის განვითარების ზოგიერთი ასპექტი საქართველოში.	10-11 ივლისი, თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი **(საერთაშორისო კონფერენცია)**
5	ბერულავა გიორგი	ნდობაზე აგებული ურთიერთობები და	10-11 ივლისი, თბილისი,

		ფირმის საქმიანობა გარდამავალი ეკონომიკების მაგალითზე.	პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი (**საერთაშორისო კონფერენცია**)
6	ბერულავა გიორგი	ფირმის საქმიანობაზე ნდობაზე აგებული ურთიერთობების გავლენა: გარდამავალი ეკონომიკების მაგალითზე (The Impact of Trust-Based Relations on Firm's Performance: Evidence from Transition Economies)	საერთაშორისო უნივერსიტეტში: „მენეჯმენტის მეცნიერება დესტაბილიზაციის დროს: ლოკალური იდეები." საქართველო, თბილისი 2015
7	ბრეგვაძე გია	ინვესტიციები სამშენებლო სექტორში.	10-11 ივლისი, თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი (**საერთაშორისო კონფერენცია**)
8	ბურდული ვახტანგი	Структурно-отраслевой анализ уровня самодостаточности экономики Грузии и общие направления формирования прогрессивной отраслевой структуры.	10-11 ივლისი, თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი **(საერთაშორისო კონფერენცია)**
9	გოგოხია თემური	ტექნოლოგიური და მარკეტინგული ინოვაციები ფირმის ეფექტიანობის ამაღლებაში.	10-11 ივლისი, თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი **(საერთაშორისო კონფერენცია)**
10	დავლაშერიძე ნატა	ЛАУРЕАТ НОБЕЛЕВСКОЙ ПРЕМИИ ПО ЭКОНОМИКЕ САЙМОН КУЗНЕЦ ОБ АКТУАЛЬНЫХ ПРОБЛЕМАХ УСТОЙЧИ-ВОГО РАЗВИТИЯ НАЦИОНАЛЬНОЙ ЭКОНОМИКИ.	10-11 ივლისი, თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი **(საერთაშორისო კონფერენცია)**
11	დათუნაშვილი ლინა	მეაბრეშუმეობის განვითარების ისტორიის ზოგიერთი საკითხი საქართველოში.	10-11 ივლისი, თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი **(საერთაშორისო კონფერენცია)**
12	დვალიშვილი ლია	ატმოსფეროს დაცვის საკითხები საქართველოში.	10-11 ივლისი, თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი **(საერთაშორისო კონფერენცია)**
13	თეთრაული ციცინო	სახელმწიფო და მისი ეკონომიკური ფუნქციები.	10-11 ივლისი, თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი **(საერთაშორისო კონფერენცია)**
14	კაკულია ეთერი	მცირე ბიზნესი – უმუშევრობის შემცირების ფაქტორი.	10-11 ივლისი, თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი **(საერთაშორისო კონფერენცია)**
15	კაკულია ეთერი, ჩიქოვანი ელენე	სოციალური დაზღვევის ბიზნესის განვითარება საქართველოში. IV სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია „ბიზნესის გან ვითარების პრობლემები	14-15 მაისი, თბილისი საქართველოს ბიზნესის აკადემია

		გლობალური ეკონომიკის პირობებში.	
16	კვარაცხელია მურმანი	ეკონომიკური აზრის განვითარება და საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება საქართველოში.	10-11 ივლისი, თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი **(საერთაშორისო კონფერენცია)**
17	კურატაშვილი ალფრედი	ყოველი ადამიანის ინტერესებისათვის ეკონომიკის, საზოგადოების, სახელმწიფოს და კაცობრიობის პროგრესული განვითარების კარდინალურად ახალი თეორიული საფუძვლები.	10-11 ივლისი, თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი **(საერთაშორისო კონფერენცია)**
18	კურატაშვილი ალფრედი	**კომერციული ბანკებისა და სხვა საფინანსო ორგანიზაციების თაღლითური ხერხებით ადამიანებზე "ნადირობა" – შენიღბული ფორმით ხალხის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებრივი ქმედებაა, მაგრამ... (?!). სახელმწიფო მართვა: პრობლემები და პერსპექტივები.**	15 ნოემბერი, თბილისი **(საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია)**
19	ლაზარაშვილი თეა ბიბილაშვილი ნანა	ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბებისა და განვითარების თავისებურებანი საქართველოში.	10-11 ივლისი, თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი **(საერთაშორისო კონფერენცია)**
20	მელაშვილი მედეა ქისტაური ნუნუ	საგადამხდელო ბალანსის რეგულირების კონცეფციები, მოდელები და მისი თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში.	10-11 ივლისი, თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი **(საერთაშორისო კონფერენცია)**
21	მელაშვილი მედეა ქისტაური ნუნუ ქველაძე ქეთინო	საინფორმაციო გარემოს განვითარების ასპექტები საქართველოს ეროვნულ ეკონომიკაში.	10-11 ივლისი, თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი **(საერთაშორისო კონფერენცია)**
22	ნათელაური იზა	უცხოეთიდან მიღებული დახმარებები და გრანტები 1994-2002 წლების საქართველოში.	10-11 ივლისი, თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი **(საერთაშორისო კონფერენცია)**
23	ნათელაური იზა	თაფლი და სანთელი.	VIII სამეცნიერო კონფერენციის „ქრისტი-ანობა და ეკონომიკა" მოხსენებათა კრებული. ბათუმი 2015
24	ნოზაძე ზურა	წყლის რესურსების გაჭუჭყიანებითა და არარაციონალური გამოყენებით მიყენებული ეკონომიკური ზარალის შეფასება.	10-11 ივლისი, თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი **(საერთაშორისო კონფერენცია)**
25	პაპავა ვლადიმერი თაფლაძე თამარი	ლიბერტარიანიზმის ქართული მოდელი.	10-11 ივლისი, თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი **(საერთაშორისო**

			კონფერენცია)
26	რევიშვილი ზურა	საქართველოს აგრარული განვითარებისა და პოლიტიკის თეორიული საკითხები.	10-11 ივლისი, თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი **(საერთაშორისო კონფერენცია)**
27	ქავთარაძე თენგიზი	რძის დამზადებისა და ტრანსპორტირების ორგანიზაციის პრობლემები საქართველოში.	10-11 ივლისი, თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი **(საერთაშორისო კონფერენცია)**
28	ქველაძე ქეთინო	ტურისტული მომსახურების განვითარების ზოგიერთი ასპექტი ქვეყნის ეროვნულ ეკონომიკაში.	10-11 ივლისი, თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი **(საერთაშორისო კონფერენცია)**
29	ქურდაძე თინა	საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის სრულყოფის საკითხისათვის.	10-11 ივლისი, თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი **(საერთაშორისო კონფერენცია)**
30	ჩხეიძე თინა	გაუდაბნოება – ეკონომიკის მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი პრობლემა.	10-11 ივლისი, თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი **(საერთაშორისო კონფერენცია)**
31	ჩხეიძე თინა ქველაძე ქეთინო	სოფლის მეურნეობის წარმოების ძირითადი საშუალება მიწაა თუ ნიადაგი!? საქ.-ოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. გაეროს მიერ განხორციელებული ნიადაგის საერთაშორისო წლის ფარგლებში, ნიადაგის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია: „ნიადაგების როლი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების საქმეში.“	9 დეკემბერი, თბილისი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია **(სამეცნიერო კონფერენცია)**
32	ცუცქირიძე მარინე	ბიზნესის ორგანიზაციული სისტემის განვითარების ასპექტები.	10-11 ივლისი, თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი **(საერთაშორისო კონფერენცია)**
33	ხუსკივაძე მამუკა	შემოსვლით ტურიზმზე მოთხოვნის დეტერმინანტები და მისი ანალიზი ეკონომეტრიკული მოდელირების მეთოდის გამოყენებით საქართველოს მაგალითზე.	10-11 ივლისი, თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი **(საერთაშორისო კონფერენცია)**
34	ჯავახიშვილი რევაზი	საქართველოს საგარეო ვაჭრობის ევროპული კურსი.	10-11 ივლისი, თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი **(საერთაშორისო კონფერენცია)**

რ. აბესაძე. დაზუსტებულია მდგრადი განვითარების მოთხოვნები ეკონომიკის სფეროში, გამოკვლეულია საქართველოში ეკოლოგიური მდგომარეობის სხვადასხვა ასპექტი.

რ. აბესაძე. გამოკვლეულია ტექნოლოგიების მნიშვნელობა ეკონომიკური განვითარებისათვის. შემოთავაზებულია საქართველოში ახალი ტექნოლოგიების ათვისების შესაძლებლობები.

ნ. არევაძე. სტატიაში გაანალიზებულია შავი და ფერადი მეტალურგიის განვითარების ძირითადი ასპექტები კრიზისამდელ და კრიზისის შემდგომ პერიოდებში. სხვა დარგებისაგან განსხვავებით, აღნიშნულმა დარგმა მეტ-ნაკლებად შეინარჩუნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საწარმოო პერსონალი, თუმცა შეამცირა როგორც წარმოებული პროდუქციის მოცულობა, ისე მისი ასორტიმენტი, რაც ნედლეულით მომარაგების პრობლემასთან უშუალოდ არის დაკავშირებული. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, რამდენადაც ახლა ერთადერთი კონკურენტუნარიანი მეტალურგიული პროდუქტი, რომლის მიწოდებაც საქართველოს შეუძლია მსოფლიოს ბაზრისათვის სწორედ ფერო და სილიკომანგანუმია.

გ. ბერულავა. ამ ნაშრომის მიზანია გარდამავალ ეკონომიკებში ფირმის საქმიანობაზე ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების გავლენის ანალიზი. ნაშრომის მთავარი წვლილი მდგომარეობს იმაში, რომ ის უზრუნველყოფს ახალ ემპირიულ შეხედულებას გარდამავალ ეკონომიკებში ნდობაზე დაფუძვნებული ურთიერთობების და ბიზნეს საქმიანობის შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირზე. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ კონტრაქტული ურთიერთობების არაფორმალური ნდობაზე დაფუძვნებული ინსტიტუტები წარმოადგენენ ბიზნესის საქმიანობის გაუმჯობესობის მნიშვნელოვან მიმართულებას გარდამავალ ეკონომიკებში.

გ. ბრეგვაძე. ნაშრომში განხილულია საქართველოს სამშენებლო სექტორის ინვესტირების საკითხები უკანასკნელი წლების მანძილზე. გაანალიზებულია არსებული მდგომარეობა და დასახულია გზები თუ, როგორ შეიძლება გაიზარდოს ამ სფეროში ინვესტირება.

ვ. ბურდული. ნაშრომში განხილულია საქართველოს ეკონომიკის თვითკმარობის დონის ამაღლების პრობლემები მისი დარგობრივი სტრუქტურის გაუმჯობესების, ექსპორტის დივერსიფიკაციის და მისი მოცულობის ზრდისა, ასევე, იმპორტჩანაცვლებითი პროდუქციის მასშტაბების ზრდის ხარჯზე. ამასთან დაკავშირებით გამოკვლეულია სტრუქტურული ეფექტის გაგება (ძირითადად, მისი სტრუქტურულ-დარგობრივი ასპექტების) და მისი გაზომვის ხერხები (რომელთა შორის მთავარ როლს თამაშობენ ეკონომიკის და მისი სექტორების თვითკმარობის დონის შეფასებები). შესწავლილია ეკონომიკის თვითკმარობის დონე აგრეგირებული დარგობრივი ჯგუფების (სექტორების) ჭრილში და ამის საფუძველზე შემოთავაზებულია საქართველოს ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის გაუმჯობესების გზები პრიორიტეტული დარგების წინმსწრები განვითარების გზით.

თ. გოგოხია. სტატიაში წარმოდგენილია ტექნოლოგიური და მარკეტინგული ინოვაციების არსი, როლი და მნიშვნელობა ფირმის ეფექტიანობის ამაღლებაში განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების მაგალითზე.

ნ. დავლაშერიძე. სტატიაში გამოთქმულია ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატის ს. კუზნეცის შეხედულებები ეკონომიკის ინოვაციური განვითარების მდგრადი განვითარების აქტუალურ პრობლემებზე. უწყვეტ ეკონომიკური განვითარების პროცესზე. აღნიშნულია, რომ ეკონომიკური ზრდის პრობლემები შორდება წმინდა ეკონომიკურს. ეკონომიკური ზრდის ფესვების აღმოსაჩენად უნდა დავეყრდნოთ სხვა სოციალურ მეცნიერებებს – სოციოლოგიას, პოლიტოლოგიას, დემოგრაფიას.

ლ. დათუნაშვილი. სტატიაში გაშუქებულია მეაბრეშუმეობის ჩასახვისა და განვითარების საკითხებზე დარგის უცხოელი მკვლევარების შეხედულებები (მუკერჯნი, ტიხომიროვი, რონდო, მუხამედოვი, შავროვი). ყურადღება გამახვილებულია საქართველოში აბრეშუმის გრენის შემოტანისა და შემდგომ დარგის განვითარების შესახებ ქართველ მკვლევართა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე (აბესაძე ა., ბოცვაძე ს., კალაძე ა. და სხვები) მოტანილია უცხოელ მოგზაურთა მიერ სხვადასხვა პერიოდში საქართველოში მოგზაურობის დროს მათ მიერ დანახული და შეფასებული ქვეყნის მეურნეობის სხვადასხვა დარგის, მ. შორის მეაბრეშუმეობის არსებული მდგომარეობა. სტატიაში შესწავლილია საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის გაუქმებისა და რუსეთთან მისი შეერთების შემდეგ მეაბრეშუმეობის (აბრეშუმის პარკის წარმოება) განვითარებისათვის მეფის რუსეთის მიერ გატარებული ღონისძიებები, რომლებმაც გარკვეულწილად განსაზღვრეს ქვეყნის ამ ტრადიციული დარგის შენარჩუნება და განვითარება.

ლ. დვალიშვილი. მთელ მსოფლიოში დიდი ყურადღება ეთმობა ატმოსფერული ჰაერის დაცვას ანთროპოგენური საქმიანობით დაბინძურებისაგან, რადგან ჰაერი ადამიანისათვის უმთავრესი სასიცოცხლო რესურსია.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მთავარ პასუხისმგებელ უწყებას ქვეყანაში გარემოს დაცვის სამინისტრო წარმოადგენს. დღესდღეობით ეკონომიკური საქმიანობები უკეთესი ტექნოლოგიებით და მენეჯმენტის მეშვეობით უნდა განვითარდეს, რათა მნიშვნელოვნად შემცირდეს ბუნებაზე ზეწოლის ზრდა. ნაშრომში მოცემულია ატმოსფერული ჰაერის დაცვის საკითხებთან დაკავშირებით საქართველოში მოქმედი ძირითადი ნორმატიული დოკუმენტები.

ც. თეთრაული. სტატიაში განხილულია სახელმწიფოს არსი, მისი განვითარების სახეები და თავისებურებები; გაანალიზებულია სახელმწიფოს ძირითადი ეკონომიკური ფუნქციები, მისი როლი და მნიშვნელობა.

ე. კაკულია. განვითარებული ქვეყნების მასალების საფუძველზე ნაჩვენებია მცირე ბიზნესის როლი დასაქმე ბასა და უმუშევრობის შემცირებაში. ამ მიმართულებით გამოკვლეულია საქართველოში არსებ ული მდგომარეობა, გამოთქმულია მოსაზრება , მცირე ბიზნესის , როგორც უმუშევრობის შემცი რების ერთ-ერთი ფაქტორის განვითარების აუცილებლობის შესახებ. ნაჩვენებია ქვეყანაში ამ მიმართულებით არსებული პოტენციალი.

მ. კვარაცხელია. ნაშრომი ეხება ქართული ეკონომიკური აზრის განვითარების ზოგიერთ ასპექტს ისეთი დიდი მოაზროვნეების შემოქმედებაში, როგორიცაა: ილია ჭავჭავაძე და ნიკო ნიკოლაძე. მათ მიერ შესწავლილი საბაზრო ურთიერთობები დღესაც იძლევა გარკვეულ ორიენტირებს ქართული მოდელის პრინციპების შესაქმნელად.

ალ. კურატაშვილი. სამეცნიერო ნაშრომში განხილულია ყოველი ადამიანის ინტერესებისათვის ეკონომიკის, საზოგადოების, სახელმწიფოს და კაცობრიობის პროგრესული განვითარების ავტორის მიერ შექმნილი კარდინალურად ახალი ფილოსოფიურ-სამართლებრივი საფუძვლები.

კერძოდ, პროგრესული განვითარების კარდინალურად ახალი თეორიული საფუძვლების სახით განხილულია: სოციალური მიზნის ფილოსოფია, ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია, თანამდებობოს პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია.

თ. ლაზარაშვილი, ნ. ბიბილაშვილი. სტატიაში განხილულია ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბების და განვითარების ძირითადი გზები და მიმართულებები საქართველოში. აგრეთვე გაანალიზებულია საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის თავისებურებანი, გამოვლენილია დადებითი და უარყოფითი მხარეები და დასახულია ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების სრულყოფის გზები.

მ. მელაშვილი, ნ. ქისტაური. ნაშრომში გაანალიზებულია თანამედროვე ეკონომიკის ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, როგორიცაა საგადამხდელო ბალანსი, მისი რეგულირების სხვადასხვა კონცეფციები და მოდელები. ავტორებს მოტანილი აქვთ შესასწავლი პრობლემის შესახებ ისეთი საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტთა შეხედულებები, როგორებიც არიან: დ. იუმი, დ. რიკარდო, ა. სმიტი, დ. ჰიუ, ე.წ. კეინსიანელები, რ. ჰარროდი, ვ, ვალრასი, ჯ, მილი, რ. მოლერი, რ, მანდელი, ი. ტინბერგერი და სხვები. ნაშრომში აგრეთვე განხილულია საქართველოს საგადამხდელო ბალანსის ბოლო წლების მდგომარეობა და სავაჭრო ბალანსის ძირითადი უარყოფითი მაჩვენებლების მიზეზები.

მ. მელაშვილი, ნ. ქისტაური, ქ. ქველაძე. ნაშრომში გაანალიზებულია მომსახურების სფეროს ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულება, როგორიცაა საინფორმაციო-საკომუნიკაციო დარგი. ბოლო წლებში მისი მნიშვნელობის უსწრაფესი ზრდა და შემდგომი განვითარების შესაძლებლობები. მსოფლიო მასშტაბით აღნიშნული დარგის სწაფმა წინსვლამ იმოქმედა საზოგადოების ცნობიერების ცვალებადობაზე და, შეიძლება ითქვას, რომ საფუძველი ჩაუყარა ახალი საზოგადოებრივი ფორმის – საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბებას. ნაშრომში ნაჩვენებია აგრეთვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის დღევანდელი მდგომარეობა და მისი განვითარებისა და მთავარ სტრატეგიულ მიზნად გადაქცევის აუცილებლობას საქართველოში.

ი. ნათელაური. სტატიაში გაანალიზებულია და შეფასებული საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ცალკეული ქვეყნების მიერ 1992-2002 წლებში საქართველოსთვის გაცემული გრანტების, დახმარებების (ფინანსური, ტექნიკური და ჰუმანიტარული) რაოდენობრივი მაჩვენებლები და მათი მიმღები სფეროების სპექტრი.

ი. ნათელაური. ნაშრომში გაანალიზებულია მეფუტკრეობის ორი პროდუქტიდან თაფლისათვის მსოფლიო წარმოება და მსოფლიო ბაზარი, სანთელისათვის დანიშნულება და მნიშვნელობა, ძირითადად აზიისა და ევროპის ქვეყნების მაგალითზე; გამოკვლეულია თაფლის მსოფლიო წარმოებაში არსებული ტენდენციები და მოსალოდნელი ცვლილებები. სანთელთან მიმართებაში აქცენტირებულია საეკლესიო სანთელი, მისი ისტორიული მნიშვნელობა და დანიშნულება.

ზ. ნოზაძე. ნაშრომში მოცემულია საქართველოში წყლის რესურსების გაჭუჭყიანებით და არარაციონალური გამოყენების შედეგად მიყენებული ეკონომიკური ზარალის შეფასება. მოცემულია კონკრეტული წინადადებები და რეკომენდაციები წყლის რესურსების დაცვისა და რაციონალური

გამოყენების საქმეში, რაც საბოლოოდ შეამცირებს ქვეყნის ეკონომიკური ზარალის სიდიდეს.

ვლ. პაპავა, თ. თაფლაძე. სტატიაში განხილულია ლიბერტარიანიზმის კლასიკური მოდელის ქართული მოდიფიკაცია, რომელიც ეფუძნება მხოლოდ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების დაცვას და ეკონომიკური მეცნიერების უცოდინრობას.

ზ. რევიშვილი. გაშუქებულია აგრარული სექტორის ტრანსფორმირებისა და განვითარების: ზრდის სტადიების, სტრუქტურული ტრანსფორმაციისა და დამოკიდებულების თეორიები; დუალისტური ეკონომიკის მოდელები და სხვა.

განხილულია "ფართო საფუძვლიანი, ერთმოდელიანი სტრატეგია", რომელიც ითვალისწინებს უპირატესად ყოვლისა მცირე და საშუალო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობას; ასევე გაშუქებულია "დუალისტური სტრატეგია", რომელიც განაპირობებს ბიმოდელურ სასოფლო-სამეურნეო სტრუქტურის ჩამოყალიბებას და აქცენტირებულია მსხვილი მიწათმფლობელობის ხელშეწყობაზე. საქართველოს სოფლის მეურნეობის რეფორმირებისა და მომდევნო პროცესების შედეგების გათვალისწინებით, განვითარებულია მოსაზრება "ფართო საფუძვლიანი სტრატეგიის" შემუშავებისა და განხორციელების თაობაზე.

თ. ქავთარაძე. ნაშრომში შესწავლილია რძის შესყიდვის პრობლემები საქართველოში. გამოვლენილია არაეფექტურობის მიზეზები. პირველადაა წამოყენებული წინადადება, ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყოს, რომ წლის დასაწყისში რძის ქარხნებმა ფერმერულ მეურნეობებს მისცენ ფულადი ავანსი, რომელიც რძის შესყიდვის ანგარიშში თანდათან დაიფარება. დადგენილია, სოფლად მერძევეობის ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხები დაიყვანება მხოლოდ, გლეხების მიერ რძის შემკრებ პუნქტებში რძის ჩაბარებით. წამოყენებულია წინადადება რძის შესყიდვის ცენტრალური გადაზიდვის დანერგვით, სატრანსპორტო ხარჯებისაგან გამოთავისუფლდებიან ფერმერული მეურნეობები, ხოლო რძის მრეწველობის საწარმოები პასუხისმგებელი გახდებიან რძის შესყიდვა-დაბინავებაზე.

ქ. ქველაძე. სტატიაში განხილულია ტურიზმის, როგორც მომსახურების დარგის, განვითარების ზოგიერთი ასპექტი და მისი გავლენა საქართველოს ეროვნულ ეკონომიკზე, ასევე მიმოხილულია საქართველოში მომსახურების სფეროს ის ზოგიერთი ეკონომიკური მახასიათებელი და მოცულობები, რომლებსაც ძირეული ცვლილებების მოხდენა შეუძლიათ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განვითარებაში და გამოყოფილია ეროვნული ტურიზმის განვითარების ის ხელშემშლელი ფაქტორები, რომელთა შემცირება ან აღმოფხვრა უზრუნველყოფს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ფართო მასებისათვის სამუშაო ადგილების შექმნასა და ადგილობრივი მოსახლეობის აქტიურ ჩართულობას ეროვნული ეკონომიკური განვითარების პროცესში.

თ. ჩხეიძე. სტატიაში ნაჩვენებია, რომ გაუდაბნოება (გავერანება – თ. ჩ.) არის პროცესი, რომელსაც შეუძლია ადამიანის ნორმალური საცხოვრებელი გარემოს შეცვლა უდაბნოდ, რომლის შედეგია მიწის დეგრადაცია და ნოყიერი მიწის უნაყოფო მასად გადაქცევა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გაუდაბნოება გამოაცხადა, როგორც გლობალური პრობლემა, რომელსაც უკავშირდება მოსახლეობის სიღარიბე და შიმშილი.

გაუდაბნოების მიზეზი შეიძლება იყოს ბუნებრივი პირობები (კლიმატი და ა.შ.) და ადამიანის სამეურნეო მოქმედება.

სტატიაში საიახლის მატარებელია, ის რომ სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ, მოსახლეობის ზრდამ, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციამ და სხვა ანთროპოგენულმა ფაქტორმა გააძლიერა ნიადაგზე ადამიანის ზემოქმედების მასშტაბები, რაც აუნაზღაურებელ ზიანს აყენებს ნიადაგს არასწორი ექსპლუატაციით და გარემოს დაბინძურების უპრეცედენტო მასშტაბებით, რაც ნიადაგის დეგრადაციისა და შემდგომი გავერანების წინაპირობაა.

თ. ჩხეიძე, ქ. ქველაძე. სტატიაში ნაჩვენებია, რომ ტერმინები „მიწა" და „ნიადაგი" სინონიმები არ არიან, რომ მათ შორის არსებითი სხვაობაა. ნიადაგი ნაყოფიერებით განსხვავდება უნაყოფო მიწისაგან. ამიტომ ავტორებს მართებულად მიაჩნიათ, რომ სოფლის მეურნეობის წარმოების ძირითადი საშუალება არის ნიადაგი და არა მიწა.

ამ ორი ტერმინის სინონიმად გამოყენება იწვევს, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული ხასიათის პრობლემებს. ასე მაგალითად საგადასახადო კოდექსის მიხედვით მიწაზე გადასახადი იანგარიშება მიწის ხარისხიანობისა და ამორტიზაციის მიხედვით. რაც მიწას არ გააჩნია. ამიტომ მართებულია მიწის გადასახადი იანგარიშებოდეს არა უნაყოფო არაამორტიზებადი მიწის მიხედვით, არამედ ნაყოფიერი ამორტიზებადი ნიადაგის მიხედვით.

მ. ცუცქირიძე. სტატიაში განხილულია ბიზნესის ორგანიზაციული სისტემის განვითარების მნიშვნელოვანი ასპექტები, წარმოებისა და მომსახურები პროცესების ორგანიზებისა და ნაციონალურად წარმართვის გზები. თანამედროვე საბაზრო გარდაქმნების ვითარებაში. გამოკვლეულია ბიზნესის ორგანიზაციის ეფექტიანობისა და შემოსავლების ზრდაზე მოქმედი ფაქტორები. რაც ბიზნესის განვითარებისათვის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს წარმოადგენს.

მ. ხუსკივაძე. ნაშრომში შემოთავაზებულია საქართველოში შემოსვლით ტურიზმზე მოთხოვნის ეკონომეტრიკული ანალიზი 2008-2014 წლებში ე.წ. ტოპ 15 ქვეყნის მონაცემების საფუძველზე. შემოსვლით ტურიზმზე მოთხოვნის დეტერმინატებად შემოთავაზებულია ტურისტთა წარმოშობის ქვეყნებში მშპ ერთ სულ მოსახლეზე, გაცვლითი კურსი, ღამისთევის ღირებულება, საჰაერო მგზავრობის ღირებულება, სახმელეთო ტრანსპორტით გადადგილების ღირებულება, ლაგური ცვლადი-ტურისტული დანიშნულების ადგილისადმი გრავიტაცია (მიზიდულობა), ტურისტულია ორგანიზაციების რაოდენობა საქართველოში, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომისა და 2008 წელს დაწყებული მსოფლიო ფინანსური კრიზისის ამსახველი ფიქტიური ცვლადები.დინამიკური ეკონომეტრიკული მოდელის შეფასებებით გამოიკვეთა ის დეტერმინატები, რომლებიც არსებით ზეგავლენას ახდენენ შემოსვლით ტურიზმზე მოთხოვნის ფორმირებაში.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	აბესაძე რამაზი	ЭКОНОМИЧЕСКИЙ РЕГРЕСС. წიგნში: E – gospodarka. w Europie ŚRODKOWEJ I WSCHODNIEJ. Te raźniejszść I perspektywy rozwoju. “Wydawnictwo KUL”.	Lublin. 2015
2	ბერულავა გიორგი	ნდობა, კვლევა და განვითარება, ინოვაციები და ფირმის პროდუქტიულობა გარდამავალ ეკონომიკებში (Trust, R&D, Innovation and Firm Productivity in Transition Economies).	EBES-ის 16-ე კონფერენცია, ეკონომიკისა და ბიზნესის ევრაზიული საზოგადოება, სტამბოლი, თურქეთი, მაისი 27-29, 2015.
3	კვარაცხელია მურმანი	მიგრაციული პროცესების რეგიონული პროცესები საქართველოში. საერთაშორისო-პრაქტიკული კონფერენცია.	ქ.დაუგავპილსი(ლატვია), 2015წ.
4	კვარაცხელია მურმანი	თანამედროვე მსოფლიოს პრობლემები და ახალი ადამიანის ფორმირება. რეგიონული განვითარების სოციალური პრობლემები. (მოხსენებათა თეზისები).	ქ.დაუგავპილსი(ლატვია), 2015წ.
5	კურატაშვილი ალფრედი	ТЕОРИЯ ВЕРХОВЕНСТВА ИНТЕРЕСОВ НАРОДА – ОПРЕДЕЛЯЮЩАЯ ПРАВОВАЯ ОСНОВА ГУМАННОСОЦИАЛЬНОЙ НАЦЕЛЕНОСТИ ГОСУДАРСТВЕННОГО УПРАВЛЕНИЯ. «Современные проблемы государственного и муниципального управления». *МАТЕРИАЛЫ МЕЖДУНАРОДНОЙ НАУЧНО-ПРАКТИЧЕСКОЙ КОНФЕРЕНЦИИ, посвященной 20-летию Академии* (3 апреля 2015 года). в 2-х частях. Ч. I.	Академия муниципального управления. Киев:
6	კურატაშვილი ალფრედი	ТЕОРЕТИЧЕСКИЕ ОСНОВЫ ПОСТРОЕНИЯ ИНОВАЦИОННОЙ ЭКОНОМИКИ И ИСТИННО ЧЕЛОВЕЧЕСКОГО ОБЩЕСТВА И ГОСУДАРСТВА. Сборник материалов XVIII МЕЖДУНАРОДНОЙ НАУЧНО-ПРАКТИЧЕСКОЙ КОНФЕРЕНЦИИ, посвященной 20-летию УДУФМТ:	28-29 апреля. (Киев, Украина).
7	კურატაშვილი ალფრედი	НОВЫЕ НАУЧНЫЕ НАПРАВЛЕНИЯ, НАЦЕЛЕННЫЕ НА СОЦИАЛЬНО-	Vilnius, Lithuania 29 April, 2015.

		ЭКОНОМИЧЕСКОЕ РАЗВИТИЕ ОБЩЕСТВА И ГОСУДАРСТВА В ИНТЕРЕСАХ НАРОДА. Materials of International scientific–practical conference: “ECONOMIC DEVELOPMENT: PROCESSES AND TENDENCIES” VILNIAUS KOLEGIJA / UNIVERSITY OF APPLIED SCIENCES FACULTY OF ECONOMICS. I VOL.	
8	კურატაშვილი ალფრედი	ПРИНЦИПИАЛЬНО НОВЫЕ ТЕОРЕТИЧЕСКИЕ ОСНОВЫ ИННОВАЦИОННОГО РАЗВИТИЯ ЭКОНОМИКИ, ОБЩЕСТВА И ГОСУДАРСТВА. Кубанская школа развития местных сообществ: Материалы научно-практической конференции с международным участием (20-25 мая 2015 г.) / отв. ред. Т.А. Мясникова.	Краснодар (Россия): Кубанский государственный университет.
9	კურატაშვილი ალფრედი	ТЕОРИЯ СБАЛАНСИРОВАННОСТИ ПРАВ И ОТВЕТСТВЕННОСТИ ДОЛЖНОСТНЫХ ЛИЦ И НЕОБХОДИМОСТЬ ЕЕ ВНЕДРЕНИЯ В УПРАВЛЕНИИ ОБЩЕСТВОМ И ГОСУДАРСТВОМ ВО ВСЕМИРНОМ МАСШТАБЕ В ИНТЕРЕСАХ КАЖДОГО ЧЕЛОВЕКА. Материалы XVI Международной научной конференции: «СТРАТЕГИИ ФОРМИРОВАНИЯ Е ЭКОНОМИКИ И Е-ОБЩЕСТВА В ЦЕНТРАЛЬНОЙ И ВОСТОЧНОЙ ЕВРОПЕ: СОСТОЯНИЕ И ПЕРСПЕКТИВЫ РАЗВИТИЯ» Монография, состоящая из статьей (докладов). Под редакцией Славомира Партицкого.	Люблинский католический университет Иоанна Павла II (Польша). Люблин: Издательство KUL, 2015 25-27 мая Наленчов (Польша)
I. 2.

	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ქართველურ ენათა განყოფილება ქართული ენის ისტორიისა და სტრუქტურის კვლევა	გ. გოგოლაშვილი	ს.ბერულავა, მ.ბუკია, ე.გაზდელიანი, ლ.გიგლემიანი, ნ.ლოლაძე, მ.მანჯგალაძე, მ.საღლიანი, მ.სუხიშვილი, თ.უთურგაიძე, ჭ.ქირია, ხ.ყანდაშვილი, ნ.შავრეშიანი, ი.ჩანტლაძე, მ.ჩუხუა, რ.ჭკადუა, ნ.ჭუმბურიძე, ც.ჯანჯღავა, მ.ჯღარკავა
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

ქართველურ ენათა განყოფილების გარდამავალი სამეცნიერო კვლევის სფერო მრავალფეროვანია. ძირითადი საკითხები შეეხება ქართული ენის ისტორიისა და სტრუქტურის კვლევას. სამუშაო გულისხმობს ქართველურ ენათა გრამატიკის გამოწვლილვით ანალიზს, ენათა და დიალექტთა ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსისა თუ ლექსიკის სხვადასხვა საკითხის შესწავლა-გაანალიზებას. აღნიშნული კვლევები (თეორიულად და პრაქტიკულადაც) ითვალისწინებს ენის განვითარების ახალ ტენდენციებს. ეს იქნება მნიშვნელოვანი სამეცნიერო დებულებანი, რომლებიც ხელს შეუწყობს არაერთი სამეცნიერო საკითხის ღრმად შესწავლას.

2	მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილება კავკასიურ ენათა აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით კვლევა	ვ. შენგელია	ლ.აზმაიფარაშვილი, ნ.არდოტელი, მ. თეთრაძე, ლ. კელაურაძე,რ.ლოლუა, მ.მაჭავარიანი, დ. კაკაშვილი, კ.მითაგვარია, ლ.სანიკიძე, რ.ფარეულიძე

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილების მრავალწლიანი კვლევითი პროექტი გულისხმობს კავკასიურ ენათა აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით კვლევას. გათვალისწინებულია კავკასიურ ენათა ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსისა თუ ლექსიკის საკვანძო საკითხები. არსებულ თვალსაზრისებთან ერთად ჩატარებული ახალი კვლევები თეორიული თუ პრაქტიკული კუთხით მნიშვნელოვანი და საგულისხმო იქნება.

3	ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება სალექსიკონო ორთოგრამების გადასინჯვა-მოძიება, მართლწერის სხვადასხვა საკითხზე მუშაობა	თ. ვაშაკიძე	მ.ლაბარტყავა, ვ.მაღრაძე, თ.მახარობლიძე, თ.ტეტელოშვილი, თ.ღვინაძე, ნ. ჯორბენაძე

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების მრავალსწლიანი კვლევითი სამუშაო არის ქართული ენის მართლწერის, მართლმეტყველების საკითხები. კვლევა ითვალისწინებს ენის განვითარების ტენდენციებს, არსებულ ცვლილებებს, რომლებიც ყოველდღურადაც კი ვლინდება. გათვალისწინებულია ვრცელი ორთოგრაფიული ლექსიკონის შევსება-გამოცემა ენის თანამედროვე მდგომარეობის გათვალისწინებით. ამ თვალსაზრისით მიმდინარეობს მასალის მოძიება-გაანალიზება. მასალა ფეხდაფეხ მიჰყვება ქართული ენის განმატებითი ლექსიკონის ახალ რედაქციებს. კვალავაც იქნება მუშაობა ქართული ენის ახალ, გადასინჯულ ნორმათა შესახებ. პარალელურად აღინუსხება პრესისა და, ზოგადად, მასმედიის ენა, ახალი შემოსული ფორმები, მათი დამკვიდრებისა და მართლწერის საკითხები. შეიქმნება პრაქტიკული სახის

ლექსიკონები. არსებული სამუშაო თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით შედეგის მომტანი იქნება ყველა მომხმარებლისათვის.

4	სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და თარგმნითი ლექსიკონების განყოფილება ტერმინოლოგიური პრობლემების კვლევა	ლ. ქაროსანიძე	მ.აბალაკი, ნ.დათეშიძე, ნ.მირინაშვილი, მ.მრევლიშვილი, ნ.მუზაშვილი, ნ.ოსაძე, ე. საბანაძე, ა. ხურცილავა, ლ.ხუჭუა, ი.ჯიბუტი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და თარგმნითი ლექსიკონების განყოფილების მრავალწლიანი სამუშაო ტერმინოლოგიური პრობლემების კვლევაა. გათვალისწინებულია სხვადასხვა უცხო ენიდან დღეს დამკვიდრებული თუ ლამის ყოველდღიურად ახლად შემოსულ ტერმინთა მართებულობის სადავო საკითხები, სხვადასხვა დარგის (სამხედრო, მათემატიკური, ეკონომიკური, საბანკო...) სპეციფიკურ ტერმინთა სწორად დამკვიდრება-შემუშავების, ახლის შექმნის პრინციპები. მუშაობისას ყურადღება გამახვილდება ტერმინთა გაქართულებისა და სწორად დამკვიდრების პრეცესებზე. მიმდინარეობს მუშაობა შესაბამის დარგთა ელექტრონული ლექსიკონების შექმნაზე, რაც თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით დიდ დახმარებას გაუწევს მომხმარებელს.

5	ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილება	გ. კვარაცხელია	ფ.აფხაიძე, გ.გვანცელაძე, ტ.გურგენიძე, ქ. მარგიანი, თ.ლომთაძე, ს.ომიაძე

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილების მრავალწლიან სამუშაოდ განისაზღვრა აქტუალურ ლინგვისტიკურ ტერმინთა და ცნებათა ლექსიკონი. კვლევა გულისხმობს როგორც ქართულ, ისე უცხო ენაში დამკვიდრებულ აქტუალურ ლინგვისტიკურ ტერმინთა მოძიებას, დიდძალი მასალის ანალიზსა და გამოხშირვას, ამა თუ იმ ტერმინთა ოპტიმალურ განსაზღვრა-დეფინიციას. ლექსიკონს ექნება საგგულისხმო თეორიული თუ პრაქტიკული მნიშვნელობა და დიდ დახმარებას გაუწევს როგორც ენათმეცნიერებს, ისე დაინტერესებულ პირებს.

6	ლექსიკოლოგიის განყოფილება განმარტებითი ლექსიკონის ახ რედაქციების მომზადება,	დ. ღლონტი	ავთ. არაბული, მ.არეშიძე, მ.აშაძე, ლ.ბინიაშვილი, მ.კელენჯერიძე, მ.კობიაშვილი, ნ.მაისურაძე, ა.პაპიძე, ქ.პეტრიაშვილი,ნ.რაზმაძე,

	„ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონის ინდექსის“ (კორიფეების) ბიბილიოგრაფიის გადამოწმება და საბოლოო ვარიანტის გამზადება,ქართული ენის დიალექტების კრებსითი ლექსიკონის მასალის შევსება, გადამოწმება, გამოცემა		რ.რამიშვილი, მ.რობაქიძე, მ. რობაქიძე ლ.სოხაძე, ნ.ფონიავა, ზ.ქავთარაძე, ე.შენგელია, ნ.ჭოხონელიძე, მ.ჩაჩანიძე, ნ.ხახიაშვილი, მ.ხომასურიძე

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

ლექსიკოლოგიის განყოფილების მრავალწლიანი კვლევითი პროექტი მიზნად ისახავს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ახალი რედაქციების მომზადება-გამოცემას, ქართული ენის დიალექტების კრებსითი ლექსიკონის გამოცემას, ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონის ინდექსის გამზადებას. სამუშაო გულისხმობს დიდძალი მასალის (მათ შორის დიალექტური), განმარტებებისა და ილუსტრაციის მომზადებას. დასახელებული სამუშაო უმნიშვნელოვანესია თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით, ის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა და ნებისმიერი მომხმარებლისათვის საჭირო და ძირითად მასალას წარმოადგენს.

7	ენობრივი მონაცემების კომპიუტერული დამუშავების განყოფილება ქართული დიალექტური ტექსტების მოპოვება, შენახვა, კვლევა. ტექსტური ბაზის სრულყოფა;ქართული დიალექტური კორპუსის შექმნა: ტექსტური მასივის გამდიდრება და მორფოლოგიური ანოტირება; კორპუსის ლინგვისტიკის თეორიული საკითხების კვლევა; დარგის პოპულარიზაცია,სწავლება; ეროვნული კორპუსის კონცეფციის დამუშავება, ეროვნული კორპუსის დარგობრივი სუბკორპუსების პროექტირება	მ. ბერიძე	დ.ანფიმიადი, ლ.ბაკურაძე, მ.ბარიხაშვილი, ც.კვანტალიანი, ზ.კიკვიძე, რ.ლანდია, ლ.ლორთქიფანიძე, ე.ნაპირელი, რ. პაპიაშვილი, ნ.სურმავა

	და შექმნა.		

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

ენობრივი მონაცემების კომპიუტერული დამუშავების განყოფილების გარდამავალი კვლევითი ეტაპის ძირითად სამუშაოებად განისაზღვრა ქართული დიალექტური ტექსტების მოპოვება, შენახვა, კვლევა. ტექსტური ბაზის სრულყოფა; ქართული დიალექტური კორპუსის შექმნა: ტექსტური მასივის გამდიდრება და მორფოლოგიური ანოტირება; კორპუსის ლინგვისტიკის თეორიული საკითხების კვლევა; დარგის პოპულარიზაცია,სწავლება; ეროვნული კორპუსის კონცეფციის დამუშავება, ეროვნული კორპუსის დარგობრივი სუბკორპუსების პროექტირება და შექმნა. გაწეული სამუშაო ტექსტურ ბაზებს გაამდიდრებს, იოლად მოსაპოვებელს გახდის ნებისმიერი მომხმარებლისათვის. გარდა ამისა, ის მორფოლოგიური თვალსაზრისით სრულად იქნება ანოტრებული და საშუალებას მისცემს მომხმარებელს ბაზებში არსებული სიტყვების მზა ფორმები თუ პარადიგმები იხილოს. ცხადია, მას აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა.

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ქართული ლინგვისტური პორტრეტი III _ ქართული დიალექტური კორპუსის მორფოლოგიური ანოტირება და დიდი დიალექტური ლექსიკოგრაფიული ბაზის შექმნა, ქართველური ენათმეცნიერება (2014-2015წ.)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	მ. ბერიძე	ნარგიზა სურმავა, ლია ბაკურაძე, მაია ბარიხაშვილი, ლიანა ლორთქიფანიძე

დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

პროექტი გულისხმობდა კორპუსის მორფოლოგიური ანოტირების თეორიული და ტექნოლოგიური ბაზის შექმნას, ანოტირების დაწყებას, ომონიმიის მოხსნისა და ნახევრადავტომატური პროცესის დაწყებას, ზედაპირული ანოტირების ამოცანის გადაწყვეტას. გარდა ამისა, პროექტი ითვალისწინებდა მძლავრი ლექსიკოგრაფიული ბაზის შექმნას როგორც ლინგვისტური ანოტირების მექანიზმის დასახვეწად და გასავითარებლად, ისე, ახალი ტიპის ონლაინლექსიკონების შესაქმნელად. შეიქმნა ქდკ-ს ლექსიკოგრაფიული კონცეფცია, ამ კონცეფციის საფუძველზე შეიქმნა მოქნილი ტექნოლოგიურ ინსტრუმენტი და პროექტის დამთავრებამდე ამ ინსტრუმენტის საშუალებით შესაძლებელი გახდა ახალი პროექტის ფარგლებში (ქართული ენა საზღვარგარეთ, თავისუფალი უნივერსიტეტი) ოთხი ონლაინლექსიკონის შექმნა:

- *[ლაზური ლექსიკონი (ლ. ეზუგბაია, მ.ჯღარკავა. ს. ბერულავა, მ.ბუკია)]*
- ინგილოური ლექსიკონი 10000 სიტყვა (მ. ბერიძე, მ. ბარიხაშვილი, ე. ნაპირელი)
- ჩვენებურების ლექსიკონი _ 9000 სიტყვა (ნ. სურმავა)
- ფერეიდნული ლექსიკონი _ 6000 სიტყვა (ლ.ბაკურაძე, მ. ბერიძე)

ქდკ-ს ლექსიკონები არ წარმოადგენენ საყრდენად აღებული ნაბეჭდი ლექსიკონების ასლს, თუმცა ყოველ სალექსიკონო სტატიას აქვს მითითებული ამოსავალი ლექსიკოგრაფიული წყარო, ზოგჯერ რამდენიმე. ლექსიკონში ემატება ახალი სიტყვები კორპუსიდან და განყოფილებაში დაცული ლექსიკოგრაფიული ფონდიდან; დიდი დრო და ენერგია მიაქვს ლექსიკონის სტრქტურული ინფორმაციის დამატებას. ეს არის: გრამატიკული ინფორმაცია _ ფონეტიკური ვარიანტი, გრამატიკული ვარიანტი, სიტყვაწარმოებითი ვარიანტი _ სათანადო მორფოლოგიური

და ხანდახან სემანტიკური მარკერის მითითებითაც; სალექსიკონო სტატიები მოიცავს ენციკლოპედიური შინაარსის ინფორმაციის განთავსების, ილუსტრაციების ცვლისა და დამატების, სხვადასხვა ტიპის ბმულის გააქტიურების საშუალებას. ლექსიკონი მთლიანად არის მარკირებული ლექსიკურ-გრამატიკული ჯგუფის მახასიათებლებით.

ლექსიკონში ძიება შესაძლებელია: სიტყვის ფრაგმენტით, მისი დასაწყისით ან დაბოლოებით, მეტყველების ნაწილის, ლემის, სიტყვაფორმის... მიხედვით. აგრეთვე არის უცხო სიტყვების ძიების მექანიზმი.

მომავალში ივარაუდება სიტყვის შემადგენლობის, ლექსიკური ტიპის, სემანტიკური ჯგუფისა და სხვა ნიშნებით ძიების ორგანიზება (სათანადო ლინგვისტური და ლექსიკოგრაფიული სამუშაოს შემდეგ).

ონლაინლექსიკონების სისტემა საშუალებას იძლევა სიტყვის როგორც კრებსით, ისე ცალკე დიალექტურ ლექსიკაში შემოწმებისათვის. ჯერჯერობით ლექსიკონებში შიდა ბმულებია მხოლოდ გააქტიურებული, მაგრამ მომავალში იგეგმება კრებსითი ლექსიკონის ფარგლებში გზავნილების განხორციელება "ნახე" ან "იგივეა" ბმულების დახმარებით.

ლექსიკონების ტექნოლოგიური ჩარჩოსა და კონცეფციის ავტორები: მ. ბერიძე, დ. ნადარაია

ფერეიდნული, ინგილოური და ჩვენებურების ქართულის ლექსიკონების გრამატიკული და ყველა სხვა ტიპის ინფორმაციით აღჭურვა განხორციელდა განყოფილების პროექტის (2014-2015) ფარგლებში.

2	ლაზურისა და მეგრულის შეპირისპირებითი გრამატიკა (პირველი ნაწილი. მორფოლოგია) საერთო ძირ-ფუძეთა ინდექსითურთ, ქართველური ენათმეცნიერება, 2012-2015წწ.	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ჭ. ქირია	ლ. ეზუგბაია, ო. მემიშიში, მ. ჩუხუა (დამხმარე)

დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

ნაშრომში სრულად აისახა ლაზურსა და მეგრულზე დღემდე არსებული კვლევა-ძიების შედეგები. რიგ საკითხებზე წარმოდგენილია ახლებური ხედვა.

დიდი ყურადღება დაეთმო საერთოსა და განსხვავებულის ჩვენებას ლაზურსა და მეგრულს შორის, პარალელების გავლებას ქართულთან. ამგვარი შეპირისპირებამ საშუალებას მოგვცა დამატებითი ლინგვისტური არგუმენტებით გაანალიზებულიყო ისეთი თეორიული საკითხები, როგორიცაა ქართველურ ენათა რაოდენობისა და ენა-დიალექტებად კვალიფიკაციის თვალსაზრისები.

ლაზურისა და მეგრულის **სისტემური კვლევა** მნიშვნელოვანი ეტაპია **ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის** შესაქმნელად, რაც დღემდე რჩება ქართველოლოგიის ერთ-ერთ აქტუალურ ამოცანად.

გამოიცა მონოგრაფია: **ლაზურისა და მეგრულის გრამატიკა. I.მორფოლოგია**

იგი ძირითად სახელმძღვანელოდ გამოადგებათ უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს, ქართველური და პროტოიბერიული კულტურის სპეციალისტებს, აგრეთვე, ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემატიკით დაინტერესებულ პირებს.

I. **4.**

1	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	ქართული ენის სიტყვათშემოკლებათა ელექტრონული ლექსიკონი, ქართველური ენათმეცნიერება, 2014-2017წწ.	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	თ. ვაშაკიძე	ავთ. არაბული, თ. ბურჭულაძე, რ. რატიანი (დამხმარე), ლ. ვაშაკიძე (დამხმარე)
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე) საგრანტო პროექტი ითვალისწინებს ენაში დამკვიდრებულ სიტყვათშემოკლებათა (როგორც ჩვეულებრივ შემოკლებებს, ისე აბრევიატურებს) მოძიება-აღნუსხვას, მათ განთავსებას ვებგვერდზე ice.ge. თითოეული ფორმა წარმოდგენილია გაშიფრული ვარიანტებითურთ, თითოეულ სიტყვათშემოკლებას დართული აქვს ბრუნვისნიშნიანი და თანდებულდართული ფორმები. მუშავდება არაერთი წესი აბრევიატურათა მართებულად დაწერილობისა და ახლის შექმნისას ქართულისათვის ბუნებრივი ფორმათა შესახებ. ელექტრონული ლექსიკონი მარტივად გამოსაყენებელია ნებისმიერი მომხმარებლისათვის. მუშაობა კვლავაც აქტიურად გრძელდება. ესაა სიტყვათშემოკლებათა პირველი ლექსიკონი ჩვენს სინამდვილეში.				
2	ქართული სახელმწიფო ენის ოფიციალურ-საქმიანი სფერო, ქართველური ენათმეცნიერება, 2014-2017წწ.	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	თ. ვაშაკიძე	ავთ. არაბული, თ. ბურჭულაძე, რ. რატიანი (დამხმრაე), ნ. ქავთარაძე (დამხმარე), ნ. კახაძე (დამხმარე)
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე) საგრანტო პროექტი ითავლისწინებს ოფიციალურ-საქმიანი სტილის ნიშან-თვისებების გამოყოფასა და ანალიზს. პროექტით გათვალისწინებულია ოფიციალური სფეროს, საქმიანი ურთიურთობებისათვის განკუთვნილი ქაღალდების არსისა და მართებული დაწერილობის განსაზღვრა: საკანონმდებლო დოკუმენტები, საქმიანი ქაღალდები, სამოქალაქო სუბიექტთა დოკუმენტები, სახელმწიფო დოკუმენტები, საზოგადოებრივი ურთიერთობისა და რეკლამის ენა. თითოეული მათგანი აქტუალურია დღეს და ხშირად გამოყენებადი. ვებგვერდზე ofsty.ge ეტაპობრივად განთავსდება დასახელებულ დოკუმენტებში დადასტურებული ხშირი შეცდომები, მომხმარებელს კი ვთავაზობთ მათ სწორ ვარიანტს. საბოლოოდ ივარაუდება ვრცელი მონოგრაფიის მომზადება-მონოგრაფია „ქართული სახელმწიფო ენის ოფიციალურ-საქმიანი სფერო“.				

3	ქართული საენათმეცნიერო მეტაენის კორპუსი, ქართველური ენათმეცნიერება, 2014-2017 წწ.	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ზ. კიკვიძე	მ. ბერიძე, მ. კობაიძე, ც. კვანტალიანი, დ. ნადარაია, (დამხმარე), დ. ანფიმიადი (დამხმარე), ლ. ლორთქიფანიძე
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე) პროექტი მიზნად ისახავს ქართული საენათმეცნიერო მეტაენის კორპუსის შექმნას მე-20 საუკუნის ერთ–ერთი ყველაზე გამორჩეული ლინგვისტის ბესარიონ ჯორბენაძი ს სამეცნიერო მემკვიდრეობის ელექტრონული ბიბლიოთეკის საფუძველზე. მოსალოდნელი შედეგი მრავალასპექტიანი პროდუქტი იქნება: შეიქმნება ბ. ჯორბენაძის საენათმეცნიერო ნაშრომთა ელექტრონული ბიბლიოთეკა, ხოლო ამ ბიბლიოთეკის საფუძველზე აიგება კორპუსი, რომელშიც საერთო კონკორდანსის გარდა ორგანიზებული იქნება საილუსტრაციო მასალის კონკორდანსიც და აგრეთვე, სამეცნიერო ტერმინთა თეზაურუსი სამენოვანი ტერმინოლოგიური იდენტიფიკაციით, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართული საენათმეცნიერო სივრცის ტერმინის ინგლისური და რუსული შესატყვისები იქნება მოწოდებული.			
4	თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია. II. დიალექტების მორფოლოგია, ქართველური ენათმეცნიერება, 2013-2016 წწ.	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	გ. გოგოლაშვილი	გ. ცოცანიძე, ნ. ჭუმბურიძე, ნ. შარაშენიძე, რ. ლანდია (ასისტენტი), ც. კვანტალიანი (ასისტენტი), რ. რატიანი (დამხმარე), რ. გრიგოლია (დამხმარე)
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე) პროექტი წარმოადგენს მეორე ნაწილს „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიის“ აკადემიური კურსისა (პირველი სალიტერატურო ენის მორფოლოგია იყო). სამუშაო მიზნად ისახავს თანამედროვე ქართული ენის დიალექტთა მონაცემების საფუძველზე კრებსითი ხასიათის კვლევის ჩატარებას - მორფოლოგიის საკითხების დამუშავებას. ნაშრომს დაერთვის ქართული ენის თითქმის ყველა დიალექტის სახელის ბრუნებისა და ზმნის უღლების ძირითადი პარადიგმები.			
5	ზემოსვანური (ენგურისა და კოდორის ხეობათა) ტექსტების მორფონოლოგიური	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ქ. მარგიანი	ი. ჩანტლაძე, რ. იოსელიანი

	სეგმენტაცია (გამოკვლევა და სიმფონია-ლექსიკონი ქართულ-ინგლისური ვერსიითურთ), ქართველური ენათმეცნიერება, 2012-2016 წწ.			
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე) საგრანტო პროექტის ფარგლებში პირველად შეიქმნა და გამოსაცემად მომზადდა სვანური ენის მორფემული ლექსიკონი, რომელშიც წარმოდგენილია 48-ვე გრაფემაზე დაწყებულ ლექსემათა ინდექსი (1500 კომპიუტერული გვერდი), თარგმნილი ქართულად და ინგლისურად, თითოეულ სალექსიკონო ერთეულთან წარმოდგენილია მათი მორფონოლოგია მომდინარეობის ჩვენებით, ასევე, სახელობითი ბრუნვის (სახელებთან) და მასდარის (ზმნებთან) ფორმები; ინდექსი სრულად მოიცავს დღემდე გამოქვეყნებულ ბალსზემოურ და ბალსქვემოურ ტექსტებს; ამ მიმართულებით სამეცნიერო კვლევის ობიექტი პირველად არის კოდორის ხეობის მეტყველება (საერთოდ, პირველად შემოდის მიმოქცევაში კოდორის ხეობის მეტყველების მასალები), ამდენად, პროექტის ამოცანის შესაბამისად, პირველად დამუშავდა კოდორის ხეობის მცხოვრები სვანებისგან 2008 წლის ომამდე მოპოვებული და შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებული კოდორული მეტყველების ნიმუშები (კოდორული ქრონიკები", თბილისი, 2010, გვ. 1-836), რასაც დაემატა გამოუქვეყნებელი ტექსტების მორფონოლოგიაც. კვლევისას განსაკუთრებით გაესვა ხაზი არქაიზმებსა და ინოვაციებს, საჭიროების მიხედვით გაკეთდა არაერთი სქოლიო, ელიზიურ ფორმებთან პროცესის სიცხადისთვის დამოწმებულია სათანადო საილუსტრაციო მასალა; ყოველივე ეს ერთი-ორად ზრდის ნაშრომის ლინგვოკულტუროლოგიურ და ინტერდისციპლინარულ მნიშვნელობას. გამოცემის შემთხვევაში წიგნი გამოადგებათ მაგისტრანტებს, დოქტორანტებს, როგორც ქართველ, ასევე უცხოელ ქართველოლოგებს, რომელთაც განსაკუთრებით გაუადვილდებათ ამ ურთულესი უმწერლობო ქართველური ენის – სვანურის მეცნიერული შესწავლა.				
6	მეგრულ-ლაზური ფრაზეოლოგია, ქართველური ენათმეცნიერება, 2013-2016 წწ.	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ვ. შენგელია	ე. შენგელია, ც. ჯანჯღავა, ნ. ფონიავა (დამხმარე), კ. მითაგვარია (დამხმარე)
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

შესრულდა შემდეგი სამუშაო: 1. ჩატარდა მეგრულ-ლაზური ფრაზეოლოგიზმების სტრუქტურულ-გრამატიკული ანალიზი; 2. გაიმართა მივლინება ლაზეთსა და სამეგრელოში, რის შედეგადაც მოპოვებულ იქნა ახალი მასალა, რომელიც გადმოიწერა გრაფიკულად და მოხდა სათანადო ანალიზი. 3. პროექტის თემატიკის შესაბამისად, მომზადდა და დაიბეჭდა ოთხი სამეცნიერო სტატია და ცხრა მოხსენების თეზისები (მოხსენებები წაკითხულ იქნა სამეცნიერო სესიებზე).				
7	ნახურ და დაღესტნურ ენათა შედარებითი გრამატიკა, ქართველური ენები, 2013-2016 წწ.	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ნ. არდოტელი	ლ. აზმაიფარაშვილი, რ. ფარეულიძე, რ. ლოლუა, ლ. სანიკიძე
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				
პროექტი ითვალისწინებს სპეციალური გამოკვლევის მომზადებას, რომელშიც გამოწვლილვით იქნება შესწავლილი 26 ნახური და დაღესტნური ენის (ნახური ჯგუფი – 3 ენა; ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ქვეჯგუფი – 11 ენა; ლეზგიური ქვეჯგუფი – 10 ენა; ლაკურ-დარგუული ქვეჯგუფი – 2 ენა) შედარებითი გრამატიკის საკვანძო საკითხები. მოხდება საკვლევ ენათა იმანენტური ბუნების მაქსიმალურად გათვალისწინებით მწყობრი, მაგრამ ამჟამად თვალსაჩინოდ განსხვავებული ფონოლოგიური, მორფოლოგიური და სინტაქსური სისტემების საერთო არქეტიპამდე დაყვანა. არქეტიპები გამოვლენილი იქნება თითოეული ჯგუფისა და ქვეჯგუფის მიხედვით (ამ მიზნით როსტომ ფარეულიძე და ლატავრა სანიკიძე დაამუშავებენ ნახური ენების მასალას; ნოდარ არდოტელი – ხუნძურ-ანდიური-დიდოური ენების მასალას; ლევან აზმაიფარაშვილი – ლაკურ-დარგუულ ენათა მასალას; რომან ლოლუა – ლეზგიურ ენათა მასალას), ხოლო მათ საფუძველზე მოხდება საერთო-ნახურ-დაღესტნური ამოსავალი სისტემის რეკონსტრუქცია. ფუძე-ენის ისტორიული სახისა და მისი ევოლუციის გასარკვევად განხორციელდება საანალიზო ენობრივ ერთეულთა როგორც ფორმობრივი (მატერიალური), ისე ეტიმონური რეკონსტრუქცია. სათანადო ყურადღება დაეთმობა შინაგანი და შედარებითი რეკონსტრუქციის ხერხების გამოყენებით აღდგენილი არქეტიპების რელატიური ქრონოლოგიის დადგენას. 2015 წლის განმავლობაში პროექტის მონაწილეებმა დაამუშავეს სახელისა და ზმნის მორფოლოგიასთან დაკავშირებული საკითხები. დაიწყო სინტაქსური საკითხების დამუშავება.				
8	კავკასიურ-ქართული ლექსიკონები ლინგვისტური კომენტარებით, ინდექსითა და გრამატიკული ნარკვევებით, ქართველური ენათმეცნიერება, 2015-2017 წწ.	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	რ. ლოლუა	ვ. შენგელია, ნ. მაჭავარიანი, ლ. აზმაიფარაშვილი, ნ. არდოტელი. რ. ფარეულიძე, დ. კაკაშვილი (დამხმარე)
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				
პროექტი ითვალისწინებს ექვსი ორენოვანი თარგმინითი ლექსიკონის შექმნას. პროექტით დაგეგმილია შემდეგი ლექსიკონების შედგენა: აფხაზურ-ქართული (შემდგენი – ნანა				

მაჭავარიანი), ჩერქეზულ-ქართული (შემდგენი – ვაჟა შენგელია), ინგუშურ-ქართული (შემდგენი – როსტომ ფარეულიძე), ხუნძურ-ქართული (შემდგენი – ლევან აზმაიფარაშვილი), ბეჟიტურ-ქართული (შემდგენი – ნოდარ არდოტელი) და უდიურ-ქართული (შემდგენი – რომან ლოლუა). თითოეული ლექსიკონის მოცულობა იქნება არანაკლებ 5000 სიტყვისა. ყველა ლექსიკონს ექნება ინდექსი, თითოეულ სიტყვასთან წარმოდგენილი იქნება ლინგვისტური კომენტარები (კვალიფიკაციები). ამასთანავე, ლექსიკონებს დაერთვის ონომასტიკური მასალა და მოკლე გრამატიკული ნარკვევები.

2015 წლის განმავლობაში პროექტის მონაწილეებმა მოამზადეს არსებული ლექსიკოლოგიურ-ლექსიკოგრაფიული ნაშრომთა ბიბლიოგრაფია და ძირითად სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი. დაიწყო სიტყვანის შედგენა თითოეული ლექსიკონისათვის.

9	სვანური ენის ჩოლურული მეტყველების თავისებურებანი (ფუნდამენტურ-გამოყენებითი გამოკვლევა ტექსტებითურთ, ქართველური ენათმეცნიერება, 2015-2018 წწ.	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	გ. გაზდელიანი	ნ. შავრეშიანი, რ. ჭკადუა, ლ. გიგლემიანი (ლინგვისტ-ასისტენტი), მ. საღლიანი (ლინგვისტ-ასისტენტი), შ. შავრეშიანი (ლინგვისტ-ასისტენტი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

პროექტის მიზანია ლინგვისტური ქართველოლოგიის ერთ-ერთი სერიოზული ხარვეზის დაძლევა, კერძოდ, სვანური ენის დღემდე შეუსწავლელი ჩოლურული მეტყველების ენობრივი ანალიზის მომცველი ისეთი მონოგრაფიის (ფუნდამენტურ-გამოყენებითი გამოკვლევის) შექმნა, რომელშიც შეძლებისდაგვარად სრულად იქნება წარმოდგენილი ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, მორფონოლოგია, ლექსიკოლოგია, სინტაქსი.

საველე პირობებში ჩვენ მიერ მოპოვებული (როგორც ძველი, ასევე ახალი) მრავალფეროვანი მასალა შედარებული იქნება როგორც ქვემოსვანურ (**ლაშხურ-ლენტეხურ**), ასევე ზემოსვანურ (**ბალსზემოურ-ბალსქვემოურ**) დიალექტურ მონაცემებთან და მხოლოდ ამის შემდგომ იქნება გამოტანილი საბოლოო დასკვნები.

თანამედროვე ენათმეცნიერული კვლევის გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია შეიქმნას ვრცელ და მრავალფეროვან ექსტრალინგვისტურ ჩოლურულ მასალაზე დაფუძნებული ფუნდამენტური გრამატიკა, რომელსაც დართული ექნება როგორც ჩოლურულ-ქართული ტექსტები, ისე გაანალიზებულ ძირ-ფუძეთა ლექსიკონი.

მონოგრაფია მომზადდება რამდენიმე ნაწილად (შესავალი, I – ფონეტიკა-ფონოლოგია, II – მორფონოლოგია-მორფოლოგია, III – სინტაქსი). მისი მომზადებისას გამოყენებული იქნება აღწერითი, სინქრონიული და დიაქრონიული, ისტორიულ-შედარებითი მეთოდები.

ცხადია, ნაშრომში გათვალისწინებული იქნება ჩოლურის ხეობიდან ქვემო ქართლში (გარდაბნის, თეთრი წყაროსა და მარნეულის რაიონები) ჩასახლებულთა მეტყველების ნიმუშებიც, რომელთა აღნუსხვა მოხდება თანამედროვე ტექნიკის (ვიდეო და აუდიოაპარატურის) გამოყენებით მათი მეცნიერული შესწავლის მიზნით. რა თქმა უნდა, გათვალისწინებული იქნება ჩოლურულის ყველა კილოკავის (**ფანაგისა**, **ლეუშერისა**, **თეკალისა**, **ჭველიერისა**, **საყდრისა**, **მამისა**, **უკლეშისა**, **ქუნიშისა**, **ლესიერისა**, **ბულეშისა**, **დურაშისა**, **ჭველფისა** და **ტვიბისა**) მონაცემები, ვინაიდან, როგორც უკვე ითქვა, ჩოლურულ კილოკავებს შორისაც შეიმჩნევა სხვაობა, რაც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ.

პროექტით გათვალისწინებული კვლევა განეკუთვნება ფუნდამენტურ-გამოყენებით

კვლევათა კატეგორიას. მისი წარმატებული დასრულების შემთხვევაში ენათმეცნიერებს ხელთ ექნებათ მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული მონოგრაფია – „**ჩოლურული მეტყველების თავისებურებანი**“ (დაახლოებით 300-400 გვერდის მოცულობის), რომელსაც დაერთვება ჩვენ მიერ ჩოლურის ხეობის სოფლებში სავალე პირობებში თანამედროვე ტექნიკის (ვიდეო და აუდიოაპარატურის) გამოყენებით ჩაწერილი (ძველი და ახალი) ჩოლურული ტექსტები შესაბამისი ქართული თარგმანებით (200-300 გვერდის მოცულობის).

10	ელიზია სვანურ ენაში (დუნდამენტურ-გამოყენებითი გამოკვლევა სიმფონია-ლექსიკონითურთ), ქართველური ენათმეცნიერება, 2015-2018წწ.	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	მ. საღლიანი	ლ. გიგლემიანი, შ. შავრეშიანი, ნ. შავრეშიანი (ლინგვისტ-ასისტენტი), რ. ჭკადუა (ლინგვისტ-ასისტენტი), გ. გაზდელიანი (ლინგვისტ-ასისტენტი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

პროექტის მიზანია სვანურის ერთ-ერთი ძირითადი ფონეტიკური პროცესის – **ელიზიის** ანალიზის მომცველი ისეთი მონოგრაფიის (ფუნდამენტურ-გამოყენებითი გამოკვლევის) შექმნა, რომელშიც სრულად იქნება აღწერილი და მეცნიერულად შესწავლილი მორფემათა ზღვარზე მომხდარი ყველა ფონეტიკური ცვლილება.

გამოკვლევას – “**ელიზია სვანურ ენაში**” (დაახლოებით 200-250 გვერდის მოცულობისა) დაერთვება გაანალიზებულ ფორმათა **სიმფონია-ლექსიკონი** (დაახლოებით 500-600 გვერდის მოცულობისა), ა. შანიძის, მ. ქალდანისა და ზ. ჭუმბურიძის მიერ მრავალი წლის მანძილზე რუდუნებით შეკრებილი უძველესი სვანური ტექსტების – "სვანური ენის ქრესტომათიისა" და „სვანური პროზაული ტესტების“ ოთხივე ტომის საფუძველზე, რასაკვირველია, გამოყენებული იქნება როგორც სვანური პოეზიის ნიმუშები, ასევე ჩვენ მიერ სავალე პირობებში მოპოვებული მასალაც.

პროექტს ექნება როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ღირებულება, რადგან, ერთი მხრივ, გვექნება მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული გამოკვლევა და, მეორე მხრივ, ა. შანიძის, მ. ქალდანისა და ზ. ჭუმბურუძის „სვანური ენის ქრესტომათიისა“ და „სვანური პროზაული ტესტების“ ოთხივე ტომის მიხედვით შედგენილი „**სიმფონია-ლექსიკონი**“, რომელშიც მთლიანად აისახება „სვანური ენის ქრესტომათიასა“ და „სვანურ პროზაულ ტექსტებში“ წარმოდგენილი ყველა ელიზიური ფორმა სათანადო გვერდისა და სტრიქონის მითითებით. ჩვენი „**სიმფონია-ლექსიკონი**“ ფაქტობრივად საძიებელიც იქნება. თითოეულ სიტყვაფორმას თანდართული ექნება ილუსტრაცია, რომელსაც ექნება როგორც

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ირინე ასათიანი	წინდებულები ზანურ (მეგრულ-ჭანურ) ენაში	თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა	355გვ.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ზანური (მეგრულ–ჭანური) წინდებულის ანალიზი. წინდებული ქართველური ენათმეცნიერების ერთ-ერთი საინტერესო საკითხია.

წინდებული ზმნას, აგრეთვე, ნაზმნარ სახელს დაერთვის თავში – პირისა და სხვა თავსართების წინ და აღნიშნავს ზმნით გამოხატული მოძრაობის, მოქმედების მიმართულებას ან ადგილმდებარეობას მიუთითებს. ქართულში წინდებულის ამ ძირითადი ფუნქციისაგან არის განვითარებული შემდეგი ფუნქციები: 1. წინდებული გადმოსცემს სრულ სახეს; 2. აწარმოებს ახალ ნაკვთს; 3. არსებითად ცვლის ზმნის ფუძის მნიშვნელობას.

ყველა ეს ფუნქცია, ზოგიერთი განსხვავებით, ზანურის წინდებულსაც აქვს. მაგრამ ზანური ზმნის უღვლილებაში წინდებულის როლი გაცილებით მეტია, ვიდრე ქართული ზმნის წინდებულებისა.

წინდებულთა სისტემა ზანურში მეტად რთულია; მნიშვნელობაც მრავალგვარი აქვს. ზმნის მნიშვნელობის სწორად გაგება ზანურში წინდებულთა მნიშვნელობის გაუთვალისწინებლად შეუძლებელია.

ზანურის წინდებულთა შესწავლის შედეგად გათვალისწინებულია, თუ რა ფონეტიკურ ცვლილებებს განიცდის წინდებული ზანურში, დადგენილია ყოველი წინდებულის ძირითადი სახე, გარკვეულია მისი შედგენილობა და ფუნქციები.

წინდებულთა ფონეტიკური ცვალებადობის გათვალისწინება მდიდარ მასალას იძლევა, საერთოდ, ზანურში ხმოვანთა ფონეტიკური ცვლილებების დასახასიათებლად.

ზანურის წინდებულების შესწავლით შესაძლებელია გამოვლინდეს ენის განვითარების ზოგი შინაგანი კანონზომიერება. ამ მხრივ, საყურადღებო ფაქტია: თურქულის გავლენის კვალი რომ არ ჩანს ჭანურის წინდებულებში, აგრეთვე, უნიფიკაციის ტენდენცია ჭანურ წინდებულებში, ზანურის წინდებულთა ფონეტიკური ცვლილებების ხასიათი და სხვა.

ნაშრომს ერთვის: წინდებულთა და სიტყვა–ფორმათა საძიებელი; რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე.

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2	გ.გოგოლაშვილი	დედაენის თავგადასავალი	„ციცინათელა“, თბილისი, 2015წ.	48 გვ.

წიგნში განხილულია იაკობ გოგებაშვილის საანბანე სახელმძღვანელოს „დედაენის“ შექმნის ისტორია; წარმოდგენილია ქართული ანბანის სწავლების იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდის მთავარი ღირსებანი, მისი მნიშვნელობა ეროვნული სკოლისათვის; განხილულია ის პრობლემები, რაც “დედაენის“ დამკვიდრებას შეხვდა ქართულ სკოლაში.

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის	გამოცემის ადგილი,	გვერდების

		სათაური	გამომცემლობა	რაოდენობა
3	გ. გოგოლაშვილი	საცნობლად თავისადაო	„მერიდიანი“, თბილისი, 2015წ.	286 გვ.

წიგნი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი (ქართული ენის წუთისოფელი) არის სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი ქართული ენის შესახებ, ფაქტობრივ თავგადასავალი ქართული ენისა. მეორე ნაწილში წარმოდგენილია ი. გოგებაშვილის უკვდავი „დედაენის“ თავგადასავალი, მისი მნიშვნელობა ეროვნული სკოლისათვის; მესამე ნაწილში („მთავარმოღვაწენი“) განხილულია უდიდესი ქართველი მოღვაწეების - ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ი. გოგებაშვილისა და ვაჟა-ფშაველას - ურთიერთდამოკიდებულებანი... წიგნს ერთვის ი. გოგებაშვილის ბრძნული გამონათქვამები.

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
4	ტარიელ გურგენიძე	მრავლობითი რიცხვის წარმოების ზოგადი პრინციპები (რუსულ ენაზე) Общие принципы образования множественного числа	თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა	164 გვ.

ნაშრომში მოცემულია მცდელობა, პრინციპულად დასაშვები ყველა ვარიანტის გათვალისწინებით, აიგოს პირის ნაცვალსახელთა სრული თეორიულ-სიმრავლური სისტემა, რომლიდანაც, გარკვეული შეზღუდვების დადებით, გამოიყვანება ნებისმიერი ენის პირის ნაცვალსახელთა სისტემა. ზოგადი წესის საფუძველზე დგინდება იერარქიული მიმართება პირის ნაცვალსახელთა ამოსავალ ელემენტებს შორის; ასევე, დგინდება იერარქიული მიმართებები გრამატიკულ კლასებს შორის. განხილულია გრამატიკულ კლასთა რაოდენობის დადგენის 5 შესაძლებელი ხერხი; ახლებურად განისაზღვრება „კლასის გახლეჩის“ ცნება; ენობრივი სტრუქტურების უნივერსალურ-ტიპოლოგიური ანალიზის შედეგად გამოიყვანება ზოგადი რეკურენტული თანაფარდობები. აქვე ავტორი, მის მიერვე შემუშავებული მეთოდების გამოყენებით, აღწერს განსხვავებული სტურქტურის მქონე ენების პირის ნაცვალსახელთა სისტემებს და აანალიზებს ზმნურ და სახელურ სტურუქტურებს.

	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
5	ლალი იორდანიშვილი	რაფიელ ერისთავის ენა	თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა	230 გვ.

ნაშრომში განხილულია რაფიელ ერისთავის ნაწარმოებთა ენისათვის დამახასიათებელი ორთოგრაფიული, ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური თავისებურებები, მწერლის სტილისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი საკითხი; წარმოჩენილია რ. ერისთავის ღვაწლი ლექსიკონების შედგენის, სხვადასხვა დარგის ქართული ტერმინოლოგიის მოძიებისა და კვლევის საქმეში. ნაშრომის ავტორი ემყარება საარქივო მასალასა და მწერლის სიცოცხლეში გამოქვეყნებულ მხატვრულ ნაწარმოებებსა თუ ლექსიკოგრაფიულ შრომებს.

ნაშრომი განკუთვნილია მწერლის ენის, სალიტერატურო ენისა და ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ისტორიის მკვლევართათვის, ქართული ენის განვითარების გარკვეული ეტაპის შესწავლით დაინტერესებული მკითხველისათვის.

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
6	ზაალ კიკვიძე	სოციოლინგვისტიკური ნარკვევები	თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა	226 გვ.

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს ათი სოციოლინგვისტიკური ნარკვევისაგან შემდგარ კრებულს. ამ ნარკვევების უმრავლესობის ადრინდელი რედაქციები გამოქვეყნებულია სამეცნიერო გამოცემებში ან წაკითხულ იქნა მოხსენებად სხვადასხვა კონფერენციასა თუ სიმპოზიუმზე. ამჟამად ჩვენ მათ გადამუშავებულ და გავრცობილ ვარიანტებს გთავაზობთ. წიგნში შეტანილი ნარკვევები თანამედროვე სოციოლინგვისტიკის აქტუალურ პრობლემებს ეხება.

	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
7	ნანა მაჭავარიანი	ენათმეცნიერული შტუდიები	თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა	230 გვ.

კრებულში განხილულია აფხაზური და ქართული ენების მორფოლოგიისა და ლექსიკოლოგიის საკითხები, მოცემულია არაერთი აფხაზური თუ ქართული ლექსემის ეტიმოლოგიის ცდა.

სამეცნიერო ნაშრომები წაკითხულია მოხსენებებად ადგილობრივ თუ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე, სიმპოზიუმებსა და კონგრესებზე; გამოქვეყნებულია სხვადასხვა პერიოდულ ენათმეცნიერულ გამოცემაში. სტატიები დალაგებულია ქრონოლოგიის პრინციპით. თითოეულ ნაშრომთან მითითებულია, რომელი გამოცემიდან არის ამობეჭდილი ცალეული მათგანი.

წიგნი განკუთვნილია ენათმეცნიერთათვის, სტუდენტებისა და ენათმეცნიერების საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის.

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
8	არნ. ჩიქობავა	შრომები, X	თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა	587 გვ.

ტომში დაბეჭდილია არნ. ჩიქობავას „ენათმეცნიერების შესავალი“ ქართულ და რუსულ ენებზე. ქართულად აღნიშნული ნაშრომი გამოვიდა 1952 წელს, რუსულად - ორჯერ -1952-1953 წლებში. რუსული ვერსია ქართულის თარგმანი კი არ არის, არამედ ახალი რედაქციაა. წიგნს ბოლოში ერთვის რედაქტორის - აკად. გ. კვარაცხელიას წერილი „სამეცნიერო პროზის დიდოსტატი და ბრწყინვალე პედაგოგი“, რომელშიც წარმოჩენილია არნ. ჩიქობავას ნაშრომის მნიშვნელობა.

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
9	ავტორთა კრებული	ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, III	„მერიდიანი“, თბილისი	1600 გვ.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ახალი რედაქციის III ტომი (დონი) 1600 გვერდს მოიცავს და მასში 20000-მდე ლექსიკური ერთეულია განმარტებული და სათანადოდ ილუსტრირებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ლექსიკონის პირვანდელი რედაქცია საფუძვლიანად

არის განახლებული და გამდიდრებული (მასალის რაოდენობა გაორმაგებულია). ამ ლექსიკონს, სამეცნიეროსთან ერთად, აქვს საერთო მოხმარებითი მნიშვნელობა.

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ავტორთა კრებული	ეტიმოლოგიური ძიებანი, XII	თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა	113გვ.
„ეტიმოლოგიური ძიებანი“ ქართული და სხვა ქართველური ენების ლექსიკის ისტორიულ-ეტიმოლოგიური კვლევისადმი მიძღვნილი თემატური კრებულია. კრებული 1987 წელს დაფუძნდა აკად. ქეთევენ ლომთათიძის ინიციატივით. კრებულში წარმოდგენილია გამოკვლევები, რომლებშიც ქართველურ ენათა ლექსიკური მასალის ანალიზისას მოხმობილია როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენათა სათანადო მასალა.				
№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2	ავტორთა კრებული	იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XLIII	თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა	272გვ.
ენათმეცნიერების ინსტიტუტის ძირითადი ორგანოს ამ ტომში წარმოდგენილია ყველა ის მთავარი მიმართულება, რომელთა მიხედვითაც წარიმართება ინსტიტუტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა: ქართველური და კავკასიური ენათმეცნიერება, ენათმეცნიერების თეორიული საკითხები, ლექსიკოლოგიური და ტერმინოლოგიური მუშაობა, ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის პრობლემა. ერთი წერილი წარმოადგენს მოგონებას აკად. არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობით „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულზე“ მუშაობის შესახებ.				
№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
3	ავტორთა კრებული	ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, XIII	თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა	277გვ.
„ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“ ენათმეცნიერების ინსტიტუტის ერთ-ერთი ძირითადი ორგანოა, რომელიც გამოიცემა ორ წელიწადში ერთხელ. კრებულში მიმოხილულია ქართველურ ენათა გრამატიკის მრავალფეროვანი თემატიკა: მორფოლოგიის, სინტაქსისა თუ ლექსიკის საკითხები, მოცემული და გაანალიზებულია ზოგიერთ დიალექტთა ბრუნების ვრცელი პარადიგმა.				
№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
4	ავტორთა კრებული	ქართული სიტყვის კულტურის	თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა	148გვ.

		საკითხები, წიგნი მე-15		
მეთხუთმეტე წიგნი (ისევე როგორც წინა წიგნები) მოიცავს წერილებს ქართული სალიტერატურო ენის მართლწერის, მორფოლოგია-სინტაქსის, ლექსიკა-სტილისტიკისა და ტერმინოლოგიის სხვადასხვა საკითხის შესახებ. ყურადღება გამახვილებულია აგრეთვე მწერლის ენასა და სტილზე.				
№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
5	ავტორთა კრებული	საენათმეცნიერო ძიებანი, XXXVIII	თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა	262გვ.
კრებულში დაბეჭდილია მრავალფეროვანი თემატიკის სტატიები: ქართული და ქართველური ენების მორფოლოგიის, დიალექტოლოგიის საკითხები, ლექსიკურ ერთეულთა განსხვავებანი ქართლურ დიალექტში, ინგლისურ, გერმანულსა და ფრანგულ ენებში სემანტიკური, მორფოლოგიური და ფრაზეოლოგიური თავისებურებანი.				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის / კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	აზმაიფარაშვილი ლევან	ხუნძური ენის დიალექტური ლექსიკის სემანტიკური თავისებურებანი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება	XLIII	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	9-29
2	არაბული ავთანდილ	ალექსანდრე ყაზბეგის „ტანჯვის“ ეთიკა და ესთეტიკა (შემოვალ..დიდებით), ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის შრომები	III	თბილისი, „ქართული უნივერსიტეტი“	212-218
3	არაბული ავთანდილ	არნოლდ ჩიქობავას დრო სივრცე (შტრიხები დიდი მეცნიერის ბიოგრაფიისათვის)	II	თბილისი, „ქართული უნივერსიტეტი“	388-407
4	არდოტელი ნოდარ	მეორე გრამატიკული კლასის წარმომავლობისათვის ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება	XLIII	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	30-40
5	ბერულავა სოფიკო	გამოსაცემად მომზადებული ლაზური ტექსტების შესახებ, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები	XIII	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	3-9
6	ბუკია მანანა	ქართველურ-აფხაზური ენობრივი შეხვედრები (კომპოზიტური წარმოების სიტყვები), მეშვიდე საერთაშორისო კონფერენციის “განათლება, ეკონომიკა და მდგრადი განვითარება” შრომები	VII	გორი	461-163
7	ბუკია მანანა	ქართველურ-აფხაზური ლინგვოკულტურული ურთიერთობის ისტორიიდან – X მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები, იკე	XLIII	თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა	41-51
8	ბუკია მანანა	დიმიტრი გულია – ქართველურ-აფხაზური	XIII	თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა	10-14

		ენობრივი ურთიერთობების მკვლევარი, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები			
9	ბუკია მანანა	მწყემსური (მესაქონლეობის) ლექსიკა მეგრულ ფიტონიმიაში, ქართველური ონომასტიკა	VII	თბილისი	59-65
10	ბუკია მანანა	მეგრულის შესწავლის სათავეებთან – იოსებ ყიფშიძის გამოუქვეყნებელი ნაშრომი „მეგრული ენა და მისი შესწავლის ისტორია“, ფილოლოგიური პარალელები	VII	თბილისი	274-279
11	ბუკია მანანა	მწყემსური ლექსიკა მეგრულ ონომასტიკონში, სამეცნიერო კრებული ახალციხე – 2015		ახალციხე	
12	ბურჭულაძე თეა	ერთი ტიპის შესიტყვებათა გავრცელების ტენდენცია მასმედიის ენაში, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები	II	თბილისითბილისი, „ქართული უნივერსიტეტი“,	138-141
13	ბურჭულაძე თეა	რთული შედგენილობის მსაზღვრელ-საზღვრულის ფორმაწარმოებისათვის, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები	III	თბილისი, „ქართული უნივერსიტეტი“	222-225
14	ბურჭულაძე თეა	სინტაგმის გამოყოფისათვის რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება	XLIII	თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა	52-60
15	ბურჭულაძე თეა	ერთი სახის წინადადებათა აგებულების თაობაზე	XIII	თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა	15-19

		ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები			
16	ბურჭულაძე თეა	ერთი ტიპის რთულ სიტყვათა დაწერილობისათვის, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები	XV	თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა	9-16
17	გაზდელიანი გულიკო	ხმოვნის სიგრძე სვანური ენის ბალსზემოურ დიალექტში ბოლოხმოვნიან და თავკიდურხმოვნიან სიტყვათა შეხვედრის დროს, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება	XLIII	თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა	61-65
18	გაზდელიანი გულიკო	ვითარებითი ბრუნვის ზოგი საკითხი სვანურში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები	XIII	თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა	20-29
19	გაზდელიანი გულიკო	არასარიტუალო ჰური-ს (დიარ) ნაირსახეობა და მასთან დაკავშირებული ლექსიკის ანალიზი სვანურში, ეტიმოლოგიური ძიებანი	XII	თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა	3-12
20	გვანცელაძე გვანცა	ქართულ კანონიკურ ანთროპონიმთაგან მომდინარე მეორეული პირთა სახელები ქართულ გვარსახელებში ისტორიულ იურიდიულ დოკუმენტთა მიხედვით. - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია	XIII	თბილისი	12-20
21	გვანცელაძე გვანცა	მიკროტოპონიმთა ერთი ტიპი ზესტაფონისა და ტყიბულის სამუზეუმო მასალებში - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული „ფილოლოგიური	8	თბილისი	

		პარალელები“			
22	გვანცელაძე გვანცა	კვლავ ჰიდრონიმ ”კოდორის“ ეტიმოლოგიისათვის - კრებული „ქართველური ონიმასტიკა“	7	თბილისი	66-83
23	გიგლემიანი ლელა, მითაგვარია კობა	ზოონიზმების შემცველი ფრაზეოლოგიზმები მეგრულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები	XIII	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	74-77
24	გიგლემიანი ლელა	ვითარებითი ბრუნვის ფორმით ნაწარმოები ზმნისართი სვანურში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება	XLIII	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	66-70
25	გიგლემიანი ლელა, ლელა მირცხულავა	თანამედროვე ლიტერატურა, მასმედია და მისი ლექსიკური თავისებურება, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია	XII-XIII	თბილისი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	132-138
26	გიგლემიანი ლელა, მერი საღლიანი	ელიზიის შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა სვანურში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომები „ენა და კულტურა“	III	ქუთაისი	305-309
27	გოგოლაშვილი გიორგი	აკაკი და ვაჟა: ჟურნალი ჩვენი უნივერსიტეტი	1(27)	გორი	
28	გოგოლაშვილი გიორგი	დავით კლდიაშვილი და ქართული ენა: ჟურნალი სამი საუნჯე	1(15)	თბილისი	
29	გოგოლაშვილი გიორგი, ყანდაშვილი ხათუნა	მრავალგზისობის გამოხატვა კახურში: საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები	III	თბილისი, „ქართული უნივერსიტეტი“	219-221
30	გოგოლაშვილი გიორგი	-ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნათა ზოგი თავისებურება ქართული ენის	XLIII	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	71-79

		დიალექტებში (თემის ნიშანთა მონაცვლეობა), იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება			
31	ვაშაკიძე თამარ	მუხრან მაჭავარიანი-„მზეს ალბათ ჩემთან მგზავრობა უნდა“(წელიწადის დრონი), იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება	XLIII	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	81-87
32	ვაშაკიძე თამარ	დანართიან და უდანართო სათაურ -სახელწოდებათა მართლწერისათვის,ქართული სიტყვის კულტურის საკითხები	XV	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	16-27
33	კვარაცხელია გუჩა	სამეცნიერო პროზის დიდოსტატი და ბრწყინვალე პედაგოგი, არნოლდ ჩიქობავა - შრომები	X	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	
34	კვარაცხელია გუჩა	ვაჟური პოეტური დისკურსი (გოგი ჩარკვიანის პოეზია), „გ. ჩარკვიანი, ლექსები“		თბილისი	
35	ლაბარტყავა მაკა	ერთი ტიპის კომპოზიტთა დაწერილობისათვის თანამედროვე ქართულში , იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება	XLIII	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	88-90
36	ლაბარტყავა მაკა	ანა კალანდაძე - „ცა“,ქართული სიტყვის კულტურის საკითხები	XV	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	32-38
37	ლაბარტყავა მაკა	ერთი სახის კომპოზიტთა(თუ ტერმინთა) დაწერილობისათვის თანამედროვე ქართულში,ქართული სიტყვის კულტურის საკითხები	XV	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	28-31
38	ლოლაძე ნანა	მდებარეობისა და არსებობის ზმნათა მიმართებისათვის ქართველურ ენებში, იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის კრებული	II	გორი	
39	ლოლაძე ნანა	მოძრაობის ზმნები ქართულში, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის	IX	თბილისი	

		სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ელექტრონუ-ლი სამეცნიერო ჟურნალი „სპეკალი“			
40	ლულუა რომან	კლასის გრამატიკული კატეგორიის ისტორიისათვის ლეზგიურ ენებში, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“	XLIII	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	91-104
41	ლულუა რომან	კავკასიის ალბანური ენის ლექსიკა ლეზგიურ ენათა ისტორიულ-შედარებით გრამატიკაში, „ჰუმანიტარული კვლევები, წელიწდეული 2013		თბილისი	62-85
42	ლულუა რომან	უდიური ენის ფონოლოგიური სისტემის თავისებურებანი. II. კონსონანტიზმი, ჟურნალი „კავკასიოლოგიური ძიებანი“	VII	თბილისი	იბეჭდება
43	ლომთაძე თამარ	კასტილიურის სტანდარტიზაციისათვის, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“	XLIII	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	105-115
44	ლომთაძე თამარ	სოციოლინგვისტური სიტუაცია ბასკეთის ქვეყნის ავტონომიურ თემში, ქუთაისის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომები „ენა და კულტურა“	III	თბილისი	206-212
45	ლომთაძე თამარ	ქართველ-ებრაელთა დიალექტი თუ ყოფილი ლინგვისტური კონტინუუმის განაპირა კუნძულაკი, იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი გორის მე-2 საერთაშორისო კონფერენციის კრებული	II	გორი	44-48
46	ლორთქიფანიძ ე ლიანა	ვექტორული სივრცის მოდელი და ქართულენოვანი ტექსტების დამუშავება. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის	19	თბილისი	

		შრომათა კრებული			
47	ლორთქიფანიძე ლიანა	ლექსიკური ფუნქციების წვლილი განმარტებით-კომბინატორულ ლექსიკონში. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული	19	თბილისი	
48	მარგიანი ქეთევან, ჩანტლაძე იზა, იოსელიანი რუსუდან	„ენგურისა და კოდორის ხეობებში ფიქსირებული სვანური ტექსტების მორფონოლოგიური სეგმენტაციის საფუძვლები, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები	XIII	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	225-236
49	მარგიანი ქეთევან	„ზემოსვანური მორფემული ლექსიკონი“ , კრებული „ტიპოლოგიური ძიებანი“	VII	თბილისი	536-545
50	მარგიანი ქეთევან	„თურმეობითებისა და ხოლმეობითების ურთიერთმიმართებისათვის სვანურ გარდამავალ ზმნებში“, თსუ, ქართული ენის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული	3	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	
51	მარგიანი ქეთევან	„მყოფადსრულის შესახებ სვანურში“, ენათმეცნიერების საკითხები	I	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	
52	მაღრაძე ვახტანგ	-კენ თანდებულის უმართებულო გამოყენების შესახებ, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები	XV	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	39-48
53	მაღრაძე ვახტანგ	-ზე თუ -ში თანდებული? ქართული სიტყვის კულტურის საკითხები	XV	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	49-60
54	მაღრაძე ვახტანგ	ჰიდროაპელატივებით ნაწარმოები ოიკონიმები , ქართველური ონომასტიკა	VII	თბილისი	15-20
55	მაჭავარიანი ნანა	მადინამიკურებელი (გარდაქცევითობის) –ხა სუფიქსის წარმომავლობისათვის აფხაზურში, ტიპოლოგიური ძიებანი	7	თბილისი	იბეჭდება

56	მაჭავარიანი ნანა	მედგარის ეტიმოლოგიისათვის, ეტიმოლოგიური ძიებანი	XII	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	იბეჭდება
57	მახარობლიძე თამარ	კვლავ მესამე სერიისა და ინვერსიის შესახებ. ქართული ენის ინსტიტუტის შრომები	III	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	იბეჭდება
58	მახარობლიძე თამარ	ქართული ჟესტური ენის დოკუმენტირება, ენათმეცნიერების საკითხები		თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	იბეჭდება
59	მახარობლიძე თამარ	ქართული ჟესტური ენის ლექსიკის შესახებ, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“	XLIII	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	116-143
60	მახარობლიძე თამარ	ზმნისწინის ტიპოლოგია. „კულტურათაშორისი დიალოგები“ შრომები, ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	III	თელავი	367-375
61	მახარობლიძე თამარ	პოლიპერსონალიზმი ჟესტურ ენებში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ენა და კულტურა“ შრომები	III	ქუთაისი	231-238
62	მახარობლიძე თამარ	ზე- პრეფიქსის შესახებ ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები	XIII	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	
63	მახარობლიძე თამარ	გარდამავალი ზმნის მესამე სერიის ფორმათა შესახებ, ტიპოლოგიური ძიებანი	VII	თბილისი	299-308
64	მახარობლიძე თამარ	დროის სისტემა ქართულ ჟესტურ ენაში. ენათმეცნიერების საკითხები. ეძღვნება ი. მელიქიშვილის ხსოვნას		თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	209-218
65	მითაგვარია კობა	ადამიანის სხეულის ნაწილე-ბის აღმნიშვნელი სახელების შემცველი გვარები სხვადას-ხვა სისტემის ენებში, იბერი-ულ-კავკასიური ენათმეცნიე-რება	XLIII	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	144-146
66	მუზაშვილი ნათელა	სინონიმთა საკითხისათვის ტექნიკურ ტერმინოლოგიაში, ქართული მეტყველების კულტურის საკითხები	XIV	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	61-66

67	ომიაძე სალომე	არნოლდ ჩიქობავას სამეცნიერო დისკურსის პრაგმატიკული თავისებურებანი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება	XLIII	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	147-151
68	ოსაძე მარინე	კორპორატიული თუ კორპორაციული, ქართული მეტველების კულტურის საკითხები	XIV	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	67-72
69	საღლიანი მერი, გერსამია რ., მამისეიშვილი ნ.	ფონოსემანტიკური ლექსიკის გენდერლინგვისტური ასპექტები ქართველურ ენებში, კავკასიოლოგიური ძიებანი	V	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	33-43
70	საღლიანი მერი	სუფიქსაციისათვის სვანურ ფონოსემანტიკურ ლექსიკაში, იბერიულ-კავკასიური ენათ-მეცნიერება	XLIII	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	158-184
71	საღლიანი მერი	ინტერფიქსური (resp. (მაერთხმოვნიანი" და მაერთმარცვლიანი") რედუპლიკაცია სვანურში, კულტურათაშორისი კომუნიკაციები		თბილისი	14-28
72	საღლიანი მერი	სივრცული ლოკალიზაციისათვის სვანურში. II. უსულო საგნების (resp. ობიექტების) სივრცული ლოკალიზაცია, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები	XIII	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	83-116
73	საღლიანი მერი	დროის აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულთა სემანტიკური ანალიზი სვანურში, ფილოლოგიური პარალელები	7	თბილისი	250-265
74	საღლიანი მერი, შავრეშიანი ნატო	ჩოლურული მეტყველების შესწავლისათვის, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის `ენა და კულტურა" შრომები	III	ქუთაისი	380-384
75	სუხიშვილი მურმან	ქართულ-ზანური *ღუდ ფუძე და მასთან დაკავშირებული ფორმალურ-სემანტიკური საკითხები, ქართველურ ენათა სტრუქტურის	XIII	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	117-122

		საკითხები			
76	სუხიშვილი მურმან	ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ კავკასიურ ენებში, თსუ-ს შრომები	IX	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	407-411
77	სუხიშვილი მურმან	სვანური იგინწ̈ალ (ბქ.) ,,ირწევა, ქანაობს“ და ე>ი ხმოვანთმონაცვლეობის საკითხი, ტიპოლოგიური ძიებანი	VII	თბილისი	
78	ტეტელოშვილი თეა	არაერთსიტყვიანი უდანართო სათაურების/სახელწოდებების მართლწერისათვის, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები	XV	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	89-92
79	უთურგაიძე თედო	/ხ=/ (resp./ჰ=/) პრეფიქსი ი= პრეფიქსიან პასივებში, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი	3-4	ქუთაისი	24-36
80	უთურგაიძე თედო	მორფონოლოგიური ვარიაციები ქართულში, გელათის მეცნიერებათა აკადემიის შრომები	I	თბილისი	83-90
81	ფარეულიძე როსტომ	არსებით სახელთა სტრუქტურა ნახურ ენებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება	XLIII	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	185-191
82	ქირია ჭაბუკა	კავშირი ზანურში, კრებ. ლაზურისა და მეგრულის გრამატიკის საკითხები	III	თბილისი	26-41
83	ქირია ჭაბუკა	ქცევის კატეგორიის საკითხი ზანურში, კრებ. ლაზურისა და მეგრულის გრამატიკის საკითხები	III	თბილისი	41-57
84	ღლონტი დოდო	ქართველ ყმაწვილთათვის თავმდაბლად აღსრულებული მსახურება (აკაკი ბრეგაძე - 80), თბილისის სასულიერო აკადემიის გაზეთი „კლიტე დავითისი“	მაისი-ივნისი	თბილისი	
85	ღლონტი დოდო	ქართული სიტყვის ქადაგება (წერილი მე-5): VI. ქართული ანდაზის ქრისტიანული სათქმელის რეკონსტრუქცია	3	თბილისი	5-13

		(1-ლი ნაწილი). სამეცნიერო-საღვთისმეტყველო ჟურნალი „რელიგია“			
86	ყანდაშვილი ხათუნა, თამაზაშვილი ე.	III სერიის მწკრივთა წარმოებისათვის ,,ჩვენებურების“ ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები	XIII	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	192-196
87	ყანდაშვილი ხათუნა	კახური დიალექტის ზოგიერთი მორფოლოგიური თავისებურება კახეთის 1812 წლის აჯანყების დოკუმენტების მიხედვით; საენათმეცნიერო ძიებანი	XXVIII	თბილისი	192-196
88	შავრეშიანი ნატო	ფრაზეოლოგიზმისა და ანდაზის ურთიერთმიმართების შესახებ სვანურში, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალი ,,ჰუმანიტარული კვლევების წელიწდეული“		თბილისი	
89	შავრეშიანი ნატო	დანართისათვის სვანურში, ფილოლოგიური პარალელები		თბილისი	
90	შავრეშიანი ნატო	რთული თანწყობილი წინადადებისთვის სვანურში,ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები	XIII	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	197-209
არაბული ავთანდილ – საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი I - ქართველოლოგიის პრობლემები და პერსპექტივები – საორგანიზაციო კომიტეტის წევრი

არაბული ავთანდილ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, III ტ, მთავარი რედაქტორი

არაბული ავთანდილ – „ქართველურ ენათა სრტრუქტურის საკითხების“ სარედაქციო კოლეგიის წევრი

არაბული ავთანდილ – „იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერების“ სარედქციო კოლეგიის წევრი

არაბული ავთანდილ – „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ სარედაქციო კოლეგიის წევრი

არაბული ავთანდილ –რედაქტორი: ე. მაჭავარიანი, მწიგნობრობაი ქართული, თბ., 2015წ.

არდოტელი ნოდარ – ჟურნალ ,,კავკასიოლოგიური ძიებანის” სარედაქციო კოლეგიაში სამეცნიერო სტატიების რედაქტირება.

არდოტელი ნოდარ – ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა IV საერთაშორისო სიმპოზიუმის სარედაქციო კოლეგიაში მასალების რედაქტირება.

არდოტელი ნოდარ – ხუნძური ენის პრაქტიკული სახელმძღვანელო (თანაავტორები - რ. აბაშია, ლ. აზმაიფარაშვილი). თბილისი, 2015, გვ. 330

ბარიხაშვილი მაია – საერთაშორისო კონფერენცია ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები – სარედაქციო კოლეგიის წევრი

ბერიძე მარინე – რედაქტორი _ ზაალ კიკვიძე, *სოციოლინგვისტიკური ნარკვევები.* თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2015; 226 გვ.

ბერიძე მარინე – ზაფხულის საერთაშორისო სკოლა _ დიგიტალური ჰუმანიტარია – ენისა და კულტურის ელექტრონული დოკუმენტაცია, ბათუმი 2015, მოწვეული ლექტორი

ბერიძე მარინე – საერთაშორისო კონფერენცია ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები – საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, მონაწილე

ბერიძე მარინე – საერთაშორისო სემინარი დიგიტალური ჰუმანიტარია – ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები, ორგანიზატორი

ბერულავა სოფო – საერთაშორისო სემინარი _ დიგიტალური ჰუმანიტარია „ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები“ ორგანიზატორი: ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტი.

ბერულავა სოფო – შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. „ქართული ენა საქართველოს ფარგლებს გარეთ - ქართული დიალექტები და ლაზური თურქეთში, აზერბაიჯანსა და ირანში.“

ბუკია მანანა – GNC – ქართული ენის ეროვნული კორპუსი 2014–2015 , მეცნიერების განვითარების საერთაშორისო ფონდი ფოლკსვაგენ შტიფთუნგი, ფრანკფურტის გოეთეს სახ. უნივერსიტეტი ტექსტების მომზადება ქართული ენის ეროვნულ კორპუსში ასატვირთად – რედაქტირება/ კორექტურა, მარკირება...

ბუკია მანანა – ქართველური ონომასტიკა, VII, თბილისი, 2015 – სარედაქციო კოლეგიის წევრი

ბუკია მანანა – პ. ცხადაია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული სახელწოდებანი (შევსებული გამოცემა), თბილისი, 2015 – რეცენზენტი

ბურჭულაძე თეა – ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა IV საერთაშორისო სიმპოზიუმის სარედაქციო კოლეგიის წევრი

ბურჭულაძე თეა – საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი I - ქართველოლოგიის პრობლემები და პერსპექტივები – საორგანიზაციო კომიტეტის წევრი

ბურჭულაძე თეა – „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხების“ სარედაქციო კოლეგიის წევრი (სწავლული მდივანი)

ბურჭულაძე თეა – „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ სარედაქციო კოლეგიის წევრი (სწავლული მდივანი)

ბურჭულაძე თეა – I რადიოს გადაცემა „სიტყვა ქართული“ 10 ენობრივი საკითხის მომზადება ენის სიწმინდის შესახებ

გვანცელაძე გვანცა, პროექტის სახელწოდება - აფხაზოლოგიის ელექტრონული ბიბლიოთეკა; გაეროს განვითარების პროგრამისა და ევროკავშირის ერთობლივი ინიციატივა COBERM „ნდობის აღდგენისა და ადრეული რეაგირების მექანიზმი“, ძირითადი მონაწილე

გოგოლაშვილი გიორგი - „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხების“ რედაქტორი

ვაშაკიძე თამარ – „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ რედაქტორი

ვაშაკიძე თამარ – ერთსულოვნების ეთერში დილის გადაცემის („განთიადის“) რუბრიკის - „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“ - ავტორი.

თეთრაძე მაკა – ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა მე-4 საერთაშორისო სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტის და მასალების სარედაქციო კოლეგიის წევრი.

თეთრაძე მაკა – საერთაშორისო კონფერენციის “იდეოლოგია და ლინგვისტური იდეები” საორგანიზაციო კომიტეტის და მასალების სარედაქციო კოლეგიის წევრი.

თეთრაძე მაკა – LUNDIC პროექტის ფარგლებში საერთაშორისო სემინარის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი.

კაკაშვილი დიანა – ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა მე-4 საერთაშორისო სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტის და მასალების სარედაქციო კოლეგიის წევრი.

კვარაცხელია გუჩა – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დარგობრივი ექსპერტი (30 პროექტის ექსპერტიზა).

კვარაცხელია გუჩა – არნოლდ ჩიქობავას შრომების X ტომად გამოსაცემი „ენათმეცნიერების შესავლის“ რედაქტორი.

კვარაცხელია გუჩა – I საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესის – ქართველოლოგიის პრობლემები და პერსპექტივები – საორგანიზაციო კომიტეტის წევრი.

კვარაცხელია გუჩა – ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა IV საერთაშორისო სიმპოზიუმის – იბერიულ-კავკასიურ ენათა ფუძისა და ძირის სტრუქტურის საკითხები – მასალების სარედაქციო კოლეგიის წევრი.

კვარაცხელია გუჩა – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიწვეული პროფესორი, საავტორო სამაგისტრო კურსის – „სემიოტიკის“– წასაკითხად.

კვარაცხელია გუჩა – ათინათები (ლექსების კრებული), გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2015.

კვარაცხელია გუჩა – „ჩვენი შავ-თეთრი და ფერადი წუთისოფელი“ – გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა (ამავე სახელწოდების ბუკლეტი), ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, თბილისი, 02.10.-18. 02, 2015.

კიკვიძე ზაალ – საერთაშორისო კონფერენცია ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები – სარედაქციო კოლეგიის წევრი

ლოლაძე ნანა – სივრცე და დრო ქართველურ ენებში, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, პროექტის შიფრი: DI/36/1-30/12, ლინგვისტ-ექსპერტი

ლოლუა რომან – ჟურნალ „კავკასიოლოგიური ძიებანი“-ს VII ტომისა (რედაქციული საბჭოს წევრი) და ჟურნალ „ჩეჩნეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“-ს („Вестник Академии Наук Чеченской Республики“) XXVI-XXIX ტომების (რედაქციული კოლეგიის წევრი) მომზადება

ლოლუა რომან – ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა IV საერთაშორისო სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტისა და სიმპოზიუმის მასალების სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ლომთაძე თამარ – ერაზმუს მუნდუსის გაცვლითი პროგრამით მიწვეული მკვლევარი (პოსტ-დოქტორანტურის დონე), ფილოლოგიის ფაკულტეტი, გალიციური ენის ინსტიტუტი, სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტი, ესპანეთი: „ენობრივი პოლიტიკის დაგეგმარება და იმპლიმენტაცია ევროპის ქვეყნებში“ (Project Number 2012-2733). Grant Agreement Number 2012-2733/001-001, 2015წ.

ლომთაძე თამარ – Volkswagen Stiftung”-ი ებრაელთა იდენტიფიკაცია გლობალიზაციის გარიჟრაჟზე, ძირითადო მონაწილე, 2013-2016წწ.

ლორთქიფანიძე ლიანა – საერთაშორისო სიმპოზიუმების „ენა, ლოგიკა, მეტყველება“ (2001–2015 წლები) ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, ILLC ამსტერდამის უნივერსიტეტი (www.illc.uva.nl/Tbilisi2015).

მარგიანი ქეთევან – თსუ, ჰუმანიტარული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი;

მარგიანი ქეთევან – 2015 წელს ფაკულტეტზე შესრულებული 7 საბაკალავრო (სადიპლომო) ნაშრომისა და რამდენიმე საკონფერენციო თემის ხელმძღვანელი;

მარგიანი ქეთევან – 2 საბაკალავრო (სადიპლომო) ნაშრომის რეცენზენტი;

მარგიანი ქეთევან – თსუ-ს შიდასაგრანტო პროექტი„უარყოფის კატეგორია ქართველურ ენებში“, I ნაწილი, ძირითადი მონაწილე, 2015 წ. თებერვალი _2015 წ. დეკემბერი;

მარგიანი ქეთევენ – საერთაშორისო პროექტი: ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური ლექსიკონი, დაფინანსებული სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის განვითარების რეგიონული ოფისის მიერ, 2014-2015 წ. წ., ძირითადი მონაწილე, მომზადდა და გამოიცა 244-გვერდიანი წიგნი.

მაღრაძე ვახტანგ – რადიოსათვის მომზადდა 60 გადაცემა ენის სიწმინდის შესახებ.

მაჭავარიანი ნანა – ჟურნალ „კავკასიოლოგიური ძიებანი“-ს V ტომის (რედაქტორი)სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალის რედკოლეგიის წევრი და კავკასიოლოგთა IV საერთაშორისო სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი.

მაჭავარიანი ნანა – რედაქტორი: პოეტური კრებულებისა: მუხრან მაჭავარიანი, „ახლა კი დროა“, მუხრან მაჭავარიანი, „ბიჭო, არ შემარცხვინო!“, მუხრან მაჭავარიანი, საყმაწვილო კალენდარი - „მთიები“, მუხრან მაჭავარიანი, - „ჩანაწერები“,მუხრან მაჭავარიანი, „ჩვეულებრიობით არაჩვეულებრივი“.

მაჭავარიანი ნანა – აფხაზური ენის სახელმძღვანელო (ელექტრონული ვარიანტი)

მახარობლიძე თამარ – ჟესტური ენის პროგრამული თარგმანის ენჯინის შემუშავება (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტი)

მახარობლიძე თამარ – მოხსენებები და კონსულტაციები - ქართული ენის მორფო-სინტაქსური სტუქტურის შესახებ და ქართული ჟესტური ენის შესახებ. სტოკჰოლმის უნივერსიტეტი. შვედეთი.

მახარობლიძე თამარ – ქართული ჟესტურის ენის საარჩევნო ლექსიკონი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, აშშ საელჩო. თბილისი. ISBN 978-9941-18-224-2; გვ. 291.

მახარობლიძე თამარ – ქართული ჟესტურის ენის ლექსიკონი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. თბილისი. ISBN 978-9941-16-225-5 გვ. 1368 .

ომიაძე სალომე – თსუ-ში პოსტდოქტორანტად მიმღები კომისიის დარგობრივი ექსპერტი.

ომიაძე სალომე – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დარგობრივი ექსპერტი.

ომიაძე ს., თ.ჯაყელი, ჩვენი სამყარო (1) – საგანმანათლებლო რესურსების ნაკრები:

8 ორიგინალური მოთხრობა 3 წლის ყრუ და სმენადაქვეითებულ მოზარდთათვის; სახელმძღვანელო 3 წლის ყრუ და სმენადაქვეითებულ ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტებისთვის, თბილისი, 2015, 66 გვ.

ომიაძე ს., თ.ჯაყელი, ჩვენი სამყარო (2) – საგანმანათლებლო რესურსების ნაკრები:

8 ორიგინალური მოთხრობა 4 წლის ყრუ და სმენადაქვეითებულ მოზარდთათვის; სახელმძღვანელო 4 წლის ყრუ და სმენადაქვეითებულ ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტებისთვის, თბილისი, 2015, 72 გვ.

ომიაძე ს., თ. ჯაყელი, ჩვენი სამყარო (3) – საგანმანათლებლო რესურსების ნაკრები:

8 ორიგინალური მოთხრობა 5 წლის ყრუ და სმენადაქვეითებულ მოზარდთათვის; სახელმძღვანელო 3 წლის ყრუ და სმენადაქვეითებულ ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტებისთვის, თბილისი, 2015, 68 გვ.

ომიაძე სალომე, საგრანტო პროექტი „კითხვა უკეთესი მომავლისათვის“, ექსპერტ-ლინგვისტი, დამფინანსებელი ორგანიზაცია – USAID – ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო, 2014-15 წწ.

ომიაძე სალომე, საგრანტო პროექტი „ერთად 21-ე საუკუნეში“, ექსპერტ-ლინგვისტი, დამფინანსებელი ორგანიზაცია – USAID – ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო, 2015წ.

ომიაძე სალომე, პროგრამა „ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა და მონიტორინგი“, ქვეპროგრამა „ეროვნულისასწავლო გეგმის განვითარება“, როლი პროექტში – წიგნიერების ექსპერტი, დამფინანსებელი ორგანიზაცია – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2015წ.

ომიაძე სალომე, პროექტის დასახელება – „ჟესტური ენის სწავლების ხელშეწყობა“, როლი პროექტში – სმენის დარღვევის მქონე პირთა განათლების სპეციალისტი, დამფინანსებელი ორგანიზაცია – სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2015 წ.

რამიშვილი რუსუდან – ყურანის რედაქტირება, 2012-2016 (ძირითადი მონაწილე).

(წამყვანი ორგანიზაცია - ყურანის თარგმნის კულტურული ორგანიზაცია), ირანი,ქ.ყუმი

საღლიანი მედეა – სივრცე და დრო ქართველურ ენებში“ (ლინგვისტ-ექსპერტი)

საღლიანი მედეა – ფონოსემანტიკური ლექსიკა ქართველურ ენებში (სტრუქტურული, სემანტიკური, პრაგმატიკული ასპექტები)“ (ლინგვისტ-ასისტენტი)

ტეტელოშვილი თეა – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სადოქტორო დისერტაციის დაცვა, სადისერტაციო ნაშრომის თემა: ტრანსლაცია / ტრანს¬პოზი¬ცია ქართულში (სუბსტანტივაცია და ადიექტივაცია).

ტუსკია მანანა – შემდგენელ-კოორდინატორი: სამეცნიერო კრებული „წმინდა ნინო“, ტ. II, 464 გვ. პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი: † რევაზ სირაძე. წიგნი ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის დაბადების მე-80 წლისთავს.

ტუსკია მანანა – შემდგენელ-კოორდინატორი: კრებული „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, 550 გვ. პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი: † რევაზ სირაძე. წიგნი ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის დაბადების მე-80 წლისთავს.

ფარეულიძე როსტომ – სარედაქციო კოლეგიის წევრი „ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა IV საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალების“ (თბილისი, 2015) დასაბეჭდად მომზადება;

ფარეულიძე როსტომ – სარედაქციო კოლეგიის წევრი - „საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, კავკასიური ცივილიზაცია: ინტერდისციპლინური კვლევები“ – ჟურნალში დასაბეჭდი მასალების მომზადებასა და რედაქტირება (მესტია, 2015).

ფარეულიძე როსტომ – სარედაქციო კოლეგიის წევრი - ყოველწლიური ჟურნალი „კავკასიოლოგიური ძიებანი“. №7, ჟურნალში დასაბეჭდი მასალების მომზადება და რედაქტირება.

ფარეულიძე როსტომ – მიმდინარე წელს ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტში ვკითხულობ სალექციო კურსს ჩეჩნურ ენაში.

ფონიავა ნათია – ენათმეცნიერ–კავკასიოლოგთა IV საერთაშორისო სიმპოზიუმის საორგანიზაციო საქმეებში მონაწილეობა.

ქირია ჭ. ეზუგბაია ლ. მემიშიში ო. ჩუხუა მ. – ლაზურ-მეგრული გრამატიკა. I. მორფოლოგია (მონოგრაფია)

ქირია ჭაბუკა – 2015 მაისი - 2015 ნოემბერი: „არაქართულენოვან სტუდენტთა აკადემიური მხარდაჭერა ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ფარგლებში“ (დამფინანსებელი - ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“).

ღლონტი დოდო – რედაქტორი: მღვდელ-მონაზონი დამასკინე, მამა სერაფინე როუზი, ცხოვრება და შრომები, „ახალი ივერონი“, 2015, 1118 გვ.

ღლონტი დოდო – რედაქტორი: დედაშვილობა, ავტორ-შემდგენელი დეკანოზი კონსტანტინე გიორგაძე, „დედაენა“, 2015, 426 გვ. (რედაქტორი).

ღლონტი დოდო – რედაქტორი: წმიდა ნინო - ემბაზი ქართლისაი, რჩეული წყაროები., (შემდგენელი, რედაქტორი, ლექსიკონისა და საძიებლების შემდგენელი). თბილისი. 700 გვ.

ღლონტი დოდო – რედაქტორი: აღგდომა. სერიიდან: რჯული ქრისტესი (ძველი ქართული ტექსტის რედაქტორი), „ალილო“. წიგნი 1-ლი, გვ. 217-402; წიგნი მე-2, გვ. 5-611.

ღლონტი დოდო – რედაქტორი: ჯვრის თაყვანისცემა. სერიიდან: რჯული ქრისტესი (ძველი ქართული ტექსტის რედაქტორი), „ალილო“. გვ. 305-660.

ღლონტი დოდო – რედაქტორი: ცხოვრება. დაუჯდომელი საგალობელი ღირსი მამისა ონისიფორე გარეჯელისა, საკვირველთ-მოქმედისა (ქარუმიძე)†1786.ძველქართული ტექსტის რედაქტირება. 40 გვ.

შენგელია ვაჟა – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XLIII-მთავარი რედაქტორი;

შენგელია ვაჟა – არნ. ჩიქობავა, შრომები, ტ. X-მთავარი რედაქტორი;

შენგელია ვაჟა – ლ.იორდანიშვილის მონოგრაფიის ,,რაფიელ ერისთავის ენა“-რედაქტორი;

შენგელია ვაჟა – სამეცნერო სესიის ,,არნოლდ ჩიქობავას საკითხავები. XXVI“.მასალები.რედაქტორი;

შენგელია ვაჟა – ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა IV საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები-მთავარი რედაქტორი;

შენგელია ვაჟა – ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა IV საერთაშორისო სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტის თამჯდომარე;

შენგელია ვაჟა – დ.ლობჯანიძის ,,პაპაჩემის ლექსიკონი“ - რედაქტორი;

შენგელია ვაჟა – დიდოსტატ ლ.ჯანჯღავას სახელმძღვანელო ,,გეპატჟებით ჭადრაკის სამყაროში“ - რედაქტორი.

ჩანტლაძე იზა – „მარტო ამისთვის ღირდა სიცოცხლე (ეძღვნება ზემო აჭარის სოფ. ოლადაურია სკოლის დაარსებაის 100 წლისთავს), თბილისი, 2015 (გვ. 1-350);

ჩუხუა მერაბ – რედაქტორი - პაატა ცხადაია, სამეგრელოს ტოპონიმია - წალენჯიხის რაიონი, თბ.,2015

ჩუხუა მერაბ – რედაქტორი - ნ. ახალაია, წ. ბაწაში, გ. ლორთქიფანიძე, ქ. ლორთქიფანიძე, ზ. ქავთარაძე, ლაზები და ლაზეთი თურქულ გამოცემებში, თბ., 2015

ჯორბენაძე ნინო – პრეზიდენტის ფონდის დაფინანსებული და თსუ -ს მიერ განხორციელებული პროექტი „ვისწავლოთ ქართული“ (საპილოტე ვერსია) -ხელმძღვანელი.

ჯორბენაძე ნინო – პირველი არხი, გადაცემა - „სიტყვების თამაში “-კონსულტანტი.

ჯღარკავა მარინე – მონაწილეობა სოხუმის უნივერსიტეტის ლინგვისტური ქართველოლოგიის მიმართულების თანამშრომელთა და დოქტორანტთა ექსპედიციაში სვანეთში - მასალის შეგროვება, გაშიფრვა- დამუშავება; პრეზენტაცია (მოხსენება - „მ. კაკაჩიას, ქ, მარგიანისა და მ. ჯღარკავას ნაშრომი „ქართველურ ენათა მორფოსინტაქსის საკითხები“ და სამომავლო გეგმები“), თბილისი, 2015.

ჯღარკავა მარინე – „ქართული ენა საქართველოს ფარგლებს გარეთ - ქართული დიალექტები და ლაზური თურქეთში, აზერბაიჯანსა და ირანში.“ (შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი და საქართველოს თავისუფალი უნივერსიტეტი).



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი



ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი

2015 წელს გაწეული სამეცნიერო კვლევითი-მუშაობის

ანგარიში

(1.01.2015-31.12.2015)

სარჩევი

- გეომორფოლოგია-გეოეკოლოგიის განყოფილება ---------- 3
- ჰიდროლოგია-კლიმატოლოგიის განყოფილება ---------- 27
- ფიზიკური გეოგრაფიის განყოფილება ---------- 38
- საზოგადოებრივი გეოგრაფიის განყოფილება ---------- 49
- კარტოგრაფია-გეოინფორმატიკის ლაბორატორია ---------- 59
- დამატებითი ინფორმაცია ---------- 62

❖ გეომორფოლოგია-გეოეკოლოგიის განყოფილება

სამეცნიერო ერთეულის დასახელება გეომორფოლოგია-გეოეკოლოგიის განყოფილება
სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი გეოგრაფიის აკად. დოქტორი **გიორგი ლომინაძე**
სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

1. ემილ წერეთელი
2. კუკური წიქარიშვილი
3.ზაზა ლეჟავა
4. ლაშა ასანიძე
5. ლევან ტიელიძე
6. გიორგი გაფრინდშვილი
7. ლელა გადრანი
8. მარი ციცაგი
9. მერაბ გონგაძე
10. ვლადიმერ გონგაძე
11. ნინო ჩიხრაძე
12. გიორგი ყავლაშვილი
13. გიორგი გელაძე
14. გიორგი ჩართოლანი
15. ლევან ქუთათელაძე

I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	თანამედროვე ეგზოდინამიკური პროცესები	ე. წერეთელი	გ. ლომინაძე, გ. გაფრინდაშვილი, მ. გონგაძე, ვ. გონგაძე, გ.ყავლაშვილი
2	ღვარცოფული კერებისა და მეწყრული უბნების კვლევა გომბორის ქედის თხემურ ნაწილში, ილტოსა და ალაზნის სათავეებში	ე. წერეთელი	გ. ლომინაძე, მ. გონგაძე, გ.გაფრინდაშვილი, ვ. გონგაძე
3	ზემო აჭარის გეომორფოლოგიური თავისებურებების შესწავლა და ცვლილებების დადგენა	ი.ბონდირევი	ი.ბონდირევი
4	ნიადაგის ეროზიაზე მოქმედი ფაქტორების (კლიმატი, ნიადაგდაცვითი ღონისძიებები) ანალიზი და შესაბამისი რასტრული ფენების შექმნა, საველე სამუშაოები შიდა ქართლის ტერიტორიაზე	გ. ლომინაძე	გ. ლომინაძე მ. გონგაძე მ. ციცაგი
5	საქართველოს კარსტული მასივების შესწავლა და ტურისტულ-რეკრეაციული	კ. წიქარიშვილი	ზ. ლეჟავა ნ.ბოლაშვილი ლ.ასანიძე

	პოტენციალის გამოვლენა		გ. ჩართოლანი
6	საქართველოს მყინვარების გლაციო-გეომორფოლოგიური კვლევა და მონიტორინგი კლიმატის თანამედროვე ცვლილებების ფონზე	ლ. ტიელიძე	გ. ლომინაძე ლ. გადრანი ნ. ლომიძე რ. კუმლაძე

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები	
1	ჩატარებულია კამერალური სამუშაოები, რომლებიც ითვალისწინებდა თემის ირგვლივ არსებული ლიტერატურული, კარტოგრაფიული, აეროკოსმოსური და სხვა მასალების შესწავლას და საველე დაკვირვებებისათვის საბაზისო უბნების შერჩევას. საბაზისო უბნებს წარმოადგენენ კახეთის მხარე, მდ. არაგვის აუზი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, მთიანი აჭარა, შავი ზღვის სანაპიროს ანაკლია-სარფის მონაკვეთი
2	ჩატარებულია ღვარცოფული კერებისა და მეწყრული უბნების კვლევა გომბორის ქედის თხემურ ნაწილში, იღტოსა და ალაზნის სათავეებში. გამოვლენილია ღვარცოფული კერებისა და მეწყრული სხეულების გავრცელების ახალი უბნები ზემოთაღნიშნულ ტერიტორიებზე, გაანგარიშებულია მათ მიერ დაკავებული ფართობები და გადაადგილების სავარაუდო მიმართულებები, იგეგმება მათი პრევენციის ღონისძიებები.
3	პროექტის გარდამავ ეტაპზე შესწავლილ იქნა ხულოს რაიონის გეომორფოლოგიური თავისებურებანი. მოეწყო ექსპედიცია რეგიონში. დამუშავდა სამეცნიერო ლიტერატურა და 1960-70 წლების აეროკოსმოსური სურათები, რათა მოხდეს ბოლო 50 წელიწადის განმავლობაში მიმდინარე ცვლილების დადგენა.
4	წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა ნიადაგის ეროზიაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზზე. ახალგაზრდა მეცნიერთა საზღვარგარეთ სტაჟირების გრანტის ფარგლებში განხორციელდა სტაჟირება კანადაში, სადაც მუშობა მიმდინარეობდა ნიადაგის ეროზიაზე მცენარეული საფარის გავლენის დისტანციური ზონდირების გამოყენებით შესასწავლად. დამუშავდა არაერთი საინტერესო მეთოდი. მიღებული შედეგები ჩაიწერა ციფრულ ფორმატში რასტრული ფენების სახით რათა შემდგომში გამოყენებულ იქნეს საბოლოო შედეგის მისაღწევად. მონაწილეობა მივიღე ადგილობრივი მკვლევარების მიერ ორგანიზებულ ექსპედიციებში. დაბრუნების შემდგომ მოეწყო ექსპედიციები შიდა ქართლის რეგიონში. მიღებული ნიმუშები და მუშავდება და შედეგების მიხედვით მოხდება ნიადაგის ეროზიულობის ფაქტორის განსაზღვრა.
5	ჩვენს მიერ მოპოვებული და შესწავლილი ფაქტიური მასალების ანლიზის საფუძველზე საკვლევ რეგიონს სპელეოტურიზმის განვითარების მდიდარი პოტენციალი გააჩნია. აქედან გამომდინარე აქტუალურია რაჭის ქედის გამოუკვლეველი კარსტული რელიეფის მეცნიერული შესწავლა: კერძოდ, აქ განვითარებული ზედაპირული და მიწისქვეშა კარსტული ფორმების შესწავლა, მათი სამეურნეო ათვისების პერსპექტივის გამოვლენა, მხარის ბუნებრივ-რესურსული შესაძლებლობების გამოვლენა, ასევე მღვიმეებისა და მიწისზედა კარსტული ფორმების დაცულობისა და უსაფრთხოების განსაზღვრა. არა ნაკლებ მნიშვნელოვანია აქ არსებული კარსტული წყაროების მარაგების, დებიტებისა და შემადგენლობის საფუძვლიანი კვლევა, რამდენადაც დღეს რაიონში მოთხოვნილება სასმელ წყალზე დიდია. ამრიგად რაჭის ქედის კარსტის სისტემატური და გეგმაზომიერი კვლევა საფუძველს ჩაუყრის ტურისტულ რეკრეაციული პოტენციალის გამოვლენას და მათ გონივრულ ათვისებას.
6	2015 წელს დაიწყო საქართველოს დიდი მყინვარების 1:50,000 მასშტაბის რუკების და მონაცემთა ბაზების შედგენა. საველე სამუშაოები ჩატარდა მდ. ენგურის და მდ. რიონის აუზის მყინვარებზე. სამოდელო მყინვარზე შეირჩა ადგილები სადაც სამომავლოდ შესაძლებელია ავტომატური მეტეოროლოგიური სადგურების, ჰიდროლოგიური თვითმწერების დამონტაჟება და სტაციონალური დაკვირვების ჩატარება. კვლევის ფარგლებში ასევე მოხდა 1950-ანი წლებიდან დღემდე არსებული და ხელმისაწვდომი აეროკოსმოსური სურათების დეშიფრირება. განისაზღვრა გამყინვარების დინამიკა XX საუკუნესა და XXI საუკუნის დასაწყისში, დადგინდა და გამოიკვეთა კორელაციური კავშირები, ერთი მხრივ, მყინვარების მორფომეტრულ მახასიათებლებსა (ფართობი, ენის სიგრძე,

	საშუალო სიმაღლე, ფირნის ხაზის სიმაღლე) და მეორე მხრივ - მაღალმთიან რეგიონებში ჰაერის წლიურ ტემპერატურებსა და დადებით ტემპერატურათა ჯამებს შორის, რაც დაგვეხმარა მყინვარების რყევის დინამიკის და თანამედროვე კლიმატის ცვლილების ურთიერთკავშირის დადგენაში. ზოგიერთი დიდი მყინვარისათვის შეიქმნა ანიმაციური რუკა გეოინფორმაციულ სისტემებში.

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ნიადაგის ეროზიის კვლევა დისტანციური ზონდირების გამოყენებით	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	მ. ციცაგი	მარიამ ციცაგი
2	ნიადაგის ეროზიული პროცესების შეფასება და GIS მოდელირება (შიდა ქართლის მაგალითზე)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	მ. ციცაგი	მარიამ ციცაგი
3	გლაციოლოგიური კვლევების განვითარება საქართველოში დისტანციური ზონდირების მეთოდის გამოყენებით	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ლ. ტიელიძე	ლ. ტიელიძე
4	მეწყრული ფერდობების მდგრადობის შეფასება თანამედროვე მეთოდოლოგიებით	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	გ. გაფრინდაშვილი	გ. გაფრინდაშვილი
დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები				
1	სტაჟირება განხორციელდა University of Lethbridge, Alberta, Canada (23 თებერვალი 23 ივლისი 2015) სტაჟირების პერიოდში განხორციელდა: 1) დისტანციური ზონდირების საფუძვლების გაცნობა; 2) ციფრული სურათების კლასიფიკაცია; 3) ციფრულ სურათებზე მანიპულაციები შესრულდა პროგრამებში Arc GIS, PCI Geomatica, ENVI; 4) მცენარეულობის ინდექსების გამოყენების პრაქტიკული მხარეები 5) ციფრული ჰემისფერული ფოტოგრაფირების საფუძვლები.			
2	სტაჟირება ნიადაგების ეროზიის კვლევით ლაბორატორიაში. პერდუს უნივერსიტეტი. დასავლეთ ლაფაეტი. ინდიანა. აშშ. საზღვარგარეთ სტაჟირების მიზანი იყო თანამედროვე მეთოდების გაცნობა ნიადაგების ეროზიის კველვაში. ნიადაგის ეროზიის კვლევის ეროვნული ლაბორატორია პერდუს უნივერსიტეტში მრავალი წელია აქტიურად მუშაობს ნიადაგის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ეროზიული პროცესების რაოდენობრივი შეფასების მეთოდოლოგიაზე, გარდა იმ მეთოდებისა რომელსაც ჩვენ კვლევის პროცესში გამოვიყენებთ, მათ ძალზე მარალ დონეზე აქვთ საველე კვლევის მეთოდები. უცხოელი კოლეგებისგან მივიღე ბევრი პრაქტიკული რჩევა საქართველოში დაგეგმილი აქტივობებთან დაკავშირებით, მონაწილეობა მივიღე ორი ქვეყნის (აშშ-ჩინეთი) მიერ ორგანიზებულ კონფერენციასა და ვორქშოპში ,,მეცნიერება კრიტიკული ზონის შესახებ''.			

3	პროექტის ფარგლებში მოხდა მყინვარული აუზების ციფრული მოდელების შექმნა გოეინფორმაციულ სისიტემებში. სადაც დატანილია ყველა მნიშვნელოვანი გეოგრაფიული, გეომორფოლოგიური და გლაციოლოგიური ობიექტი. მიღებული რელიეფის მოდელების დახმარებით მოხდა უკანასკნელი სტადიალური გამყინვარების მასშტაბების აღდგენა. შესაბამისად დაზუსტდა ამ პერიოდიდან მყინვარების უკანდახევის მაჩვენებელი, როგორც სიგრძეში, ასევე ფართობში. პროექტის ფარგლებში ასევე მოხდა სტაჟირების გავლა ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ მეინის უნივერსიტეტის კლიმატის ცვლილების ინსტიტუტში. სტაჟირების პერიოდში მოხდა უცხოელ კოლეგებთან სამუშაო შეხვედრები და მათი დაინტერესება საქართველოში მიმდინარე კვლევებით, ასვე მოხდა მყინვარების დინამიკაზე მოპოვებული მონაცემთა გაცვლა მსოფლიოს სხვადასხვა გლაციოლოგიური პროფილის სამეცნიერო ცენტრებთან (მაგ. მსოფლიო მყინვარების მონიტორინგის სერვისი, თოვლისა და ყინულის ნაციონალური ცენტრი). რამდენიმე საერთაშირისო კონფერენციაზე (აშშ) გაკეთდა მოხსენებები საქართველოს მყინვარების შესახებ. ასევე მაღალრეიტინგულ უცხოურ სამეცნიერო ჟურნალებში (აშშ, ჩინეთი, გერმანია, რუსეთი) დაიბეჭდა სამეცნიერო სტატიები.
4	კვლევის მიზანია საქართველოს ტერიტორიაზე მეწყრული მოვლენებით დაზიანებული ტერიტორიების მდგომარეობის გამოკვლევა და შეფასება, აგრეთვე შერჩეული კონკრეტულ დაძაბულ უბნებზე მეწყრული ფერდობების მდგრადობის გამოანგარიშება თანამედროვე მეთოდოლოგიით. კვლევის ფარგლებში მოხდება: - საკვლევ ტერიტორიაზე მეწყრული პროცესების შესახებ არსებული კვლევების ანალიზი; - მეწყრულ მოვლენებზე არსებული მასალის შეკრება, დამუშავება და მათი გამოყენება ფერდობების მდგრადობის გამოანგარიშებისთვის; - მეწყრული საშიშროების რუკის შედგენისთვის საჭირო ფაქტორთა (ფერდობები, გეოლოგია, გეომორფოლოგია, მიწის საფარი, გზები, ჰიდროგრაფიული ქსელი, სეისმურობა და სხვა) მონაცემთა ბაზების დამუშავება და გაანალიზება; - პოტენციურად განსაკუთრებით საშიში კერების გამოვლენა და კონკრეტულ უბნებზე ფერდობების მდგრადობის ანალიზის ჩატარება თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით.

I. 4.

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	რაჭის კირქვული მასივის სპელეო-გეომორფოლოგიური კვლევა თანამედროვე მეთოდების გამოყენებით	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ლ. ასანიძე	ლ. ასანიძე
2	საქართველოს ტერიტორიაზე კარსტული ფენომენების ფორმირების (გენეზისის) პირობების დადგენა და გამოვლენილი მღვიმური სისტემების ტურისტული	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ნ. ბოლაშვილი	კ.წიქარიშვილი ლ. ასანიძე ზ. ლეჟავა

	მიზნებისათვის გამოყენების პერსპექტივები			
3	საქართველოს გლაციოლოგიური კატალოგი	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	გ. ლომინაძე	ლ. ტიელიძე ნ. ლომიძე გ. გაფრინდაშვილი ლ. გადრანი ნ. ჩიხრაძე
4	დისტანციური ზონდირება, გეო-საინფორმაციო სისტემები და მეოთხეული გლაციოლოგია (კვალიფიკაციის ამღლების პროგრამა)	განათლების საერთაშორისო ცენტრი	ლ. ტიელიძე	ლ. ტიელიძე
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები				
1	პროექტის ფარგლებში სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით განხორციელდა რაჭის კირქვულ მასივზე განვითარებული კარსტული პროცესების გამოკვლევა, მოვახდინეთ არსებული ლიტერატურული მასალის ანალიზი და ექსპედიციის განხორციელება საკვლევ რეგიონში და კარსტული მღვიმეების სპელეო-გეომორფოლოგიური დახასიათება. მოხდა მნიშვნელოვანი კარსტული ობიექტების მორფოლოგიურ-მორფომეტრიული პარამეტრების დადგენა და მღვიმეთა შესასვლელების, კარსტული „ძაბრების“, და სხვ. გეოგრაფიული კოორდინატების განსაზღვრა. თანამედროვე ხელსაწყოების გამოყენებით ისეთები როგორიცაა: (Suunto KB-14 Precision Global Compass, Clinometer with Percent and Degree Scales), მოხდა კარსტულ მღვიმეთა დახრილობისა და მიმართულების განსაზღვრა მიწის ქვედა ფენებში, ლაზერული ხელსაწყოს გამოყენებით (laserliner distance master) მოხდა მღვიმეების შიდა სივრცეების აგეგმვა და მათი მასშტაბურობის დადგენა და ამ ეტაპზე მიმდინარეობს მიღებული მონაცემების საფუძველზე მღვიმეთა ციფრული მონაცემთა ბაზების შექმნა. ექსპედიციის დროს განხორციელდა ნიმუშების აღება კარსტულ წყლებზე (ვოკლუზები, წყაროები,) და ქიმიური ანალიზების საფუძველზე მოხდა მათი სასმელად ვარგისიანობის განსაზღვრა, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია როგორც მეცნიერული ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით, რადგან აღნიშნული კირქვული მასივი მნიშვნელოვან ჰიდრორესურსებს შეიცავს და მათი სრულფასოვანი კვლევა სახელმწიფოებრივ საქმეს წარმოადგენს. კარსტულ მღვიმეებში ჩავატარეთ ეპიზოდური სპელეო-კლიმატური დაკვირვებები მიწისქვეშა ჰაერის ელემენტებზე (ჰაერის ტემპერატურა, სინოტივე, ატმოსფერული წნევა) მინი-მეტეო სადგურის (kestrel 2500 NV)-ის საშუალებით. ველზე მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, თანამედროვე მეთოდების (აეროკოსმოსური სურათების დეშიფრირება) და უახლესი კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით (Erdas imagine, Compass 32 program manager, Arc Scene-3D), მეორე საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ტურისტული თვალსაზრისით ყველა პერსპექტიული კარსტული მღვიმის სამგანზომილებიანი მოდელის შექმნა, რაც დღესდღეობით საქართველოში უპრეცენდენტოა. ამ ეტაპზე მიმდინარებს კარტოგრაფიული მეთოდების გამოყენებით პერსპექტიული კარსტული ობიექტების გავრცელების რუკის შედგენა, გეოინფორმაციულ სისტემებში (GIS). აღნიშნული გრანტის ფარგლებში მოხდა სტაჟირების გავლა ამერიკაში, დასავლეთ კენტუკის უნივერსიტეტში, სადაც შესწავლილ იქნა კვლევის თანამედროვე მეთოდები და დამყარდა სამეცნიერო თანამშრომლობა მომავალი კვლევებისათვის.	

2	განისაზღვრა ფოთოლცვენის მღვიმის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ყველა კარსტული ობიექტის (ძაბრი, ჭა, შახტი და სხვ.) წყალშთანთქმის კერის და ვოკლუზური წყაროების ზუსტი ადგილმდებარეობა და ჰიფსომეტრიული სიმაღლეები. აიგეგმა მღვიმის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სიღრუეები, დადგინდა მათი გავრცელების სავარაუდო მიმართულებები. შესწავლილ იქნა ფოთოლცვენის მღვიმის კლიმატური მახასიათებლები უფსკრულის ზედა ადვილად მისადგომ მონაკვეთებში, ჩასასვლელიდან 150 მ სიღრმემდე; მღვიმისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის რადიაციული მდგომარეობის შესწავლის მიზნით გაზომვები ჩატარდა PPA-01M-01 რადიომეტრის მეშვეობით. გამა-რადიაციული ფონი განისაზღვრა MKC-AT1117M ტიპის დოზიმეტრ-რადიომეტრით. მსუბუქი იონების კონცენტრაცია იზომებოდა პორტატული აეროიონების მთვლელით.
3	პროექტის ფარგლებში 2015 წელს მოხდა მდინარეების კოდორის, ბზიფის, კელასურის, ლიახვის და არღუნის აუზის მყინვარების შესწავლა ახალი აეროკოსმოსური სურათების (Landsat L5, L8 OLI/TIRS, ASTER) საფუძველზე და მათი შედარება ძველ ანალოგიური შიინაარსის მონაცემებთან. საველე სამუშაოები ჩატარდა მდინარეების ენგურის, რიონის და თერგის აუზის მყინვარებზე (მესტიის, ონის, ლენტეხის და სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტები). დამუშავდა მაღალმთიანი მეტეოსადგურების ჰაერის ტემპერატურების შესახებ გამოქვეყნებული მასალები. განისაზღვრა საშ. წლიური ტემპერატურების გრადიენტები ფირნის ხაზის სიმაღლეზე, რომლებიც შემდეგ დაუკავშირად მყინვარების მორფომეტრულ მახასიათებლებს. გამოყვეყნდა რამდენიმე სამეცნიერო სტატია საქართველოში და საზღვარგარეთ, აგრეთვე სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებზე გაკეთდა სამეცნიერო მოხსენებები. ასევე დაიწყო მუშაობა საქართველოს მყინვარების კატალოგზე და მონოგრაფიაზე რომელიც 2016 წელს გამოქვეყნდება.
4	პროექტის ფარგლებში ხდება კვალიფიკაციის ამაღლება ჩრდილოეთ ბრიტანეთის კოლუმბიის უნივერსიტეტში, რომელიც მდებარეობს კანადაში და მსოფლიოს ერთ-ერთ მოწინავე ადგილზეა გლაციოლოგიური მიმართულების კვლევებში. პროგრამა კონკრეტულად მიმდინარეობს მეოთხეულ გლაციოლოგიაში, დისტანციურ ზონდირებასა და გეო-საინფორმაციო სისტემებში, რათა სამომავლოდ საქართველოშიც დაინერგოს და განვითარდეს მსგავსი სახის კვლევები. პროექტის ფარგლებში ასევე ხდება სამუშაო შეხვედრები უცხოელ მეცნიერებთან და მათი დაინტერესება საქართველოში მიმდინარე გლაციოლოგიური კვლევებთ.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ზ. ლეჟავა კ. წიქარიშვილი ნ.ბოლაშვილი ლ. ასანიძე ნ.ჩიხრაძე	ეკის მთის კარსტულ-ჰიდროლოგიური და სპელეოლოგიური კვლევის წინასწარი შედეგები	საერთაშორისო კონფერენცია-"გამოყენებითი ეკოლოგია: პრობლემები, ინოვაცია" მასალები ICAE-2015. ISBN 978-9941-0-7644-2. http://icae-2015.tsu.ge/	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, საქართველო	გვ. 89-95
2	გ.ლომინაძე ი.პაპაშვილი, ს.ხორავა	ზღვის სანაპიროს შუამდინარეთის რიონი-სუფსას თანამედროვე განვითარების ტენდენციები, საერთაშორისო კონფერენცია „გამოყენებითი	ICAE-2015	თბილისი	გვ. 42-47

		ეკოლოგია:პრობლემები, ინოვაციები“			
3	ლ. ტიელიძე	აფხაზეთის მყინვარების ფართობის ცვლილება ბოლო ერთი საუკუნის განმავლობაში	გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები, საერთაშორისო კონფერეციის მასალები მიძღვნილი აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლისთავს	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი	გვ. 252-258
4	ლ. ტიელიძე ლ. გადრანი რ. კუმლაძე	კლიმატის ცვლილების გავლენა მყინვარ ჭალაათზე ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში	გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები, საერთაშორისო კონფერეციის მასალები მიძღვნილი აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლისთავს	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი	გვ. 246-251
5	ლ. გადრანი გ. გაფრინდაშვილი	ქ.თბილისის თანამედროვე გეოეკოლოგიური მდგომარეობა, საერთაშორისო კონფერენცია	,,გეოგრაფიის და ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები“-ს შრომათა კრებული	უნივერსიტეტის გამომცემლობა	გვ. 272-276
6	გ.გაფრინდაშვილი ნ. ზაუტაშვილი ზ.ბოსტაშვილი ნ. ფოფორაძე	მიწისქვეშა წყლების მონიტორინგული ქსელის აღდგენა საქართველოში	კონფერენცია “თანამედროვე გეოლოგიის პრობლემების” შრომათა კრებული	თბილისი, საქართველო,	გვ. 46-51
7	გ. გაფრინდაშვილი	გეოლოგიური პროცესების (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავ-ქვათაცვენა და სხვა) საველე კვლევის მეთოდოლოგია		თბილისი	30 გვ.
8	ე. წერეთელი გ.გაფრინდაშვილი	საქართველოში გეოლოგიური სტიქიური კატასტროფების არსებული პრობლემები და მათ	საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტრო, წყალთა	თბილისი	გვ. 25-31

		აღმოსაფხვრელად პირველი რიგის განსახორციელებელი საადაპტაციო-პრევენციული ღონისძიებების მეთოდოლოგიური ქმედებები	მეურნეობის ინსტიტუტი, შრომათა კრებული		
9	ე. წერეთელი გ.გაფრინდაშვილი ბოლაშვილი ნ.	მდ. მდ. თერგის, არაგვისა და ასა-არღუნის აუზებში ღვარცოფული პროცესების განვითარების მასშტაბები და საშიშროების რისკი მოსახლეობისა და საინჟინრო-სამეურნეო ობიექტებისათვის	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შრომათა კრებული	თბილისი	27 გვ.
10	მ. გაფრინდაშვილი ე.წერეთელი გ.გაფრინდაშვილი და სხვები	საქართველოში სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების მდგომარეობა, 2014 წლის გააქტიურების შედეგები და საშიშროების რისკი 2015 წლისათვის	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, გარემოს ეროვნული სააგენტო, გეოლოგიის დეპარტამენტი	საქართველო	376 გვ.
11	გ.ყავლაშვილი	საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლის მდგრადობის შენარჩუნების გეოგრაფიული ასპექტები	თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა		გვ. 57-61
12	ზ.ჯანელიძე ნ.ჩიხრაძე	შავი ზღვის ევსტაზიის როლი პალიასტომის ტბის ქვაბულის წარმოქმნა–განვითარებაში	საერთაშორისო კონფერენციის "გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემების" მასალების კრებული. 2015. ISBN 978-9941-13-457-9	თსუ-ს გამომცემლობა. თბილისი, საქართველო	გვ. 91-94
13	ნ. ჩიხრაძე ე. რენატო და სხვ.	ახლო მანძილის ფოტოგრამეტრია, როგორც მეთოდი ზღვის სანაპირო ზონის გეოეკოლოგიური მონიტორინგისათვის (რამალიას პლაჟის მაგალითზე, პორტუგალია).	საერთაშორისო კონფერენციის "გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემების" მასალების კრებული. 2015. ISBN 978-9941-13-457-9	თსუ-ს გამომცემლობა. თბილისი, საქართველო	გვ. 62-65

		(ინგლისურ ენაზე)			
ანოტაცია					
1	სენაკის მუნიციპალიტეტში (სოფ: საადამიო, საწულეისკირო და სხვ,) განხორციელდა კარსტულ-სპელეოლოგიური სამუშაოები, და მიწისქვეშა, წყალქვეშა გამოკვლევები. ლიტველ სპელეომყვინთავებთან ერთად პირველად მოხდა საადამიოს და საწულეისკიროს მღვიმეების წყლიანი და მშრალი დერეფნების დაძლევა, აგეგმვა და აღწერა. გამოკვლეული დერეფნების ჯამურმა სიგრძემ 280 მეტრს გადააჭარბა. აღნიშნული აღმოჩენა დაფიქსირებულია ახალი გეოგრაფიული აღმოჩენების საერთაშორისო ბაზაში.				
2	ცენტრალური კოლხეთის სანაპირო ზონა, სადაც განლაგებულია ქალაქი ფოთი და საზღვაო ნავსადგური, ჩამოყალიბდა მდ. რიონის მიერ უხვად შემოტანილი მყარი ჩამონადენისაგან. ბოლო 150 წლის განმავლობაში სანაპირო ვითარდება ძლიერი ტექნოგენური ზეგავლენის პირობებში. მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში აშენდა ფოთის ნავსადგური, რომლის მოლოებმა ფაქტობრივად დაყვეს კოლხეთის სანაპირო ორ ნაწილად, რის შედეგად ნავსადგურის სამხრეთით მდებარე 14 კილომეტრიანმა სანაპირომ მდ.სუფსას შესართავამდე დამოუკიდებლად გაბვითარება დაიწყო. ფოთი-სუფსას შორის მდებარე სანაპიროს წყალქვეშა ფერდი შემოფარგლულია ჩრდილოეთიდან პორტის სამხრეთი მოლოს სიახლოვეს ფოთის წყალქვეშა კანიონის სათავით, და სამხრეთით მდ.სუფსის შესართავის წინ მდებარე იგივე სახელწოდების კანიონით. ორივე კანიონის სათავე ახლოს მდებარეობს ნაპირის ხაზთან და იქ დიდ სიღრმეებზე ჩაედინება ნაპირამგები ნატანის დიდი რაოდენობა. საქართველოს შავიზღვისპირეთის სანაპირო ზონა ძირითადად აკუმულაციურ ტიპს ეკუთვნის, სადაც გავრცელებულია ბუნებრივი ქვიშა-კენჭოვანი პლაჟები. თავისთავად პლაჟები ბუნებრივი დამცავი სისტემაა, რომელიც განაპირობებს ძირითადი ნაპირის მდგრადობას. პლაჟური ზოლი მეტად მგრძნობიარეა ადამიანის მიერ ხელოვნურად ინიცირებული ნეგატიური ზემოქმედების მიმართ. ხშირ შემთხვევაში ნაპირების დეგრადაცია განპირობებულია აღნიშნული ზეგავლენით. შედეგად დაზიანებული ნაპირები ითხოვენ ნაპირდაცვითი ღონისძიებების ჩატარებას, რომლის სწორი საპროექტო გადაწყვეტილება დამოკიდებულია სანაპირო ზონაში მიმდინარე ლითო-დინამიკური პროცესების ღრმა შესწავლაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩატარებული ძვირადღირებული ნაპირდაცვითი ღონისძიებები არ იქნება ეფექტური.				
3	სტატიაში მოცემულია აფხაზეთის კავკასიონის, კერძოდ მდინარეების - ბზიფის, კელასურის, და კოდორის მყინვარების დინამიკა ბოლო ერთი საუკუნის განმავლობაში. კვლევის დროს ჩვენ გამოვიყენეთ 1911 წელის კ. პოდოზერსკის მიერ შედგენილ მყინვარების კატალოგის მონაცემებს და 1960-იანი წლების მსხვილმასშტაბიან ტიპოგრაფიულ რუკებს. თანამედროვე მყინვარების რაოდენობისა და ფართობის დადგენის მიზნით ჩვენ გამოვიყენეთ 2014 წლის Landsat-ის კოსმოსურ სურათებს. კერძოდ Landsat L8 OLI/TIRS (Operational Land Imager and Thermal Infrared Sensor) (USGS) სურათებს, რომელიც გადაღებულია 2014 წლის აგვისტოს თვეში.				
4	სტატიაში განხილულია მყინვარ ჭალაათის დინამიკა ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში კლიმატურ ელემენტებტან კავშირში. კვლევის დროს გამოვიყენეთ 1960-იან წლებში შედგენილი 1:50,000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკები. აგრეთვე გამოვიყენეთ დისტანციური ზონდირების მეთოდი რომელიც მყინვარების დინამიკის კვლევისათვის (ფართობის ცვალებადობა, მყინვარის ენის სიგრძის და ზღვის დონიდან სიმაღლის განსაზღვრა, ფირნის ხაზის სიმაღლებრივი ცვალებადობა) ყველაზე კარგი თანამედროვე საშუალებაა და გამოირჩევა შედეგების სწრაფად მიღებით. კვლევისათვის საჭირო მასალას წარმოადგენს ''Landsat''-ის ხელოვნური თანამგზავრიდან 1986 წლის 6 აგვისტოს, 2000 წლის 12 აგვისტოს და 2014 წლის 11 აგვისტოს მიღებული სპექტრული გამოსახულებები LandsatTM (Thematic Mapper) (USGS). ასევე გამოვიყენეთ 2011 წლის საველე მასალები, როდესაც მყინვარზე 3 თვის განმავლობაში (ივნისი-ივლისი-აგვისტო) გვქონდა სტაციონალური ბანაკი.				
5	ქალაქები წარმოადგენენ ადამიანის მიერ შექმნილ რთულ სოციალურ-ეკონომიკურ საინჟინრო კომპლექსებს. მათი ურთიერთქმედება ბუნებრივ პირობებთან მუდმივად იცვლება. მნიშვნელოვანი ტერიტორიების ურბანიზაცია მათი გამოყენება კომუნიკაციისთვის ენერგეტიკის და რესურსების წყაროსათვის, ხდება მიზეზი გლობალური ცვლილებისა, რაც პლანეტაზე მიმდინარეობს. ქალაქი წარმოადგენს თავისთავად ადამიანის საცხოვრებლის უმაღლეს ფორმას. ურბანიზაციის ცნება მოიაზრება საზოგადოების განვითარების ხელშემწყობ ფაქტორად. აქ ვხვდებით				

	წინააღმდეგობას, რადგან მის მიერ გამოწვეული შედეგები, უარყოფითად მოქმედებს სწორედ ამ საზოგადოებაზე. ქალაქის მოსახლეობის ზრდას თან სდევს გაუმართავი, პრობლემური, ხშირად უკანონო დასახლებების მშენებლობა. ქალაქების გარემოს კომპლექსური შეფასება რეგულირების უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს, იგი ერთგვარი საფუძველია ქალაქების გეოეკოლოგიური განვითარების ეფექტურობის, პრიორიტეტებისა და სტრატეგიების განსაზღვრისათვის. თბილისის, როგორც დედაქალაქის ფუნქციონირებისთვის უმთავრესია მისი გეოგრაფიული გარემოს მდგრადობა, მისი ენდოგენური და ეგზოგენური ფაქტორებისა და პროცესების ჯეროვანი შესწავლა და ქალაქის განვითარების ტენდენციაში მისი გათვალისწინება. პრაქტიკამ და დრომ დაგვანახა, რომ ქალაქების კვლევისას აუცილებელია ისეთი მეთოდების, ანალიტიკური საფუძვლებისა და მიდგომების ძიება და დანერგვა, რომლებიც შეძლებისდაგვარად სრულად მოიცავენ გარემოზე, გარკვეული ზეგავლენის მქონე კომპონენტებისა და პროცესების აღწერასა და შეფასებას, განსაკუთრებით კლიმატის ცვლილების კონტექსტში. ქ. თბილისში არსებული საშიში ეგზოდინამიკური პროცესების (მეწყერები, ღვარცოფები, კლდეზვავები, მდინარის ეროზია და სხვა) გავრცელებამ, მოსახლეობის მაღალმა რიცხოვნობამ, განაპირობა, რომ თბილისი მივიჩნიოთ კატასტროფის მაღალი რისკის მქონე ტერიტორიად, რადგან აქ მომხდარი ნებისმიერი კატასტროფული მოვლენით გამოწვეული ეკონომიკური ზარალი და ადამიანის მსხვერპლი მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება. თბილისის გეოეკოლოგიის და რელიეფის მდგრადობის შესწავლას აქვს, როგორც ზოგადაკადემიური ასევე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა.
6	საქართველო, რომელიც გეოგრაფიულად მდებარეობს სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში და იკავებს ევროპა-აზიის სასაზღვრო სივრცის საკვანძო ადგილს, თავისი მრავალსპექტრიანი ბუნებრივი ლანდშაფტით _ სუბტროპიკული ზღვისპირეთიდან დაწყებული მაღალმთიანი ალპურ-ნივალურის ჩათვლით და კულტურულ-ისტორიული ძეგლებით გამორჩეულ ადგილს იკავებს კავკასიის რეგიონში. ამასთან, ქვეყნის ტერიტორიის ათვისებას მრავალდარგობრივი მეურნეობის ქვეშ, მგრძნობიარე გეოლოგიური გარემოსა და მრავალსპექტრიანი კლიმატის პირობებში მნიშვნელოვნად ართულებს ეგზოგეოლოგიური პროცესების მასშტაბური განვითარება და გეოეკოლოგიური სიტუაციის უკიდურესი გართულებები. საქართველოში გეოლოგიური კატასტროფებისაგან მოსახლეობის დაცვა, მიწების შენარჩუნება და საინჟინრო ობიექტების (განსაკუთრებით სახაზო) უსაფრთხო ფუნქციონირება დიდი ხანია იქცა უმნიშვნელოვანეს სოციალურ-ეკონომიკურ, დემოგრაფიულ, პოლიტიკურ და ეკოლოგიურ პრობლემად. ამ პრობლემამ უფრო მწვავედ იჩინა თავი ბოლო პერიოდში კლიმატის გლობალური ცვლილებებისა და მიწისძვრების გააქტიურება-გაძლიერების საერთო ფონზე, ასევე ადამიანის საქმიანობის უკიდურესად გაზრდილი პრესინგით გეოლოგიურ გარემოზე. გეოლოგიური სტიქიის მაღალი რეაქტივაციის რისკის არეალში მოქცეულია ქვეყნის ტერიტორიის 60%-მდე, დასახლებული პუნქტების 70%-ზე მეტი და ისეთი სტრატეგიული სახაზო და საინჟინრო ობიექტები, როგორიც არის საერთაშორისო ნავთობ-გაზსადენები, პირველი კატეგორიის საავტომობილო გზები, ჰიდროტექნიკური ნაგებობები. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა მთიანი რეგიონები, სადაც სტიქიური პროცესებიდან უმაღლეს რეგისტრში წარმოგვიდგება მეწყრულ-გრავიტაციული და ღვარცოფული მოვლენები, თოვლ-მყინვარების ჩამოქცევა, რომელთაგან გამოწვეული უარყოფითი შედეგები მოიცავენ ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროს. მათგან მიყენებული ყოველწლიური ზარალი მათი ფონური განვითარების პირობებშიც კი 100-150მლნ აშშ დოლარის ფარგლებშია, ხოლო პროცესების ექსტრემალური რეაქტივაციის დროს მილიარდიან ზღვარს გადადის. მაგალითისათვის 1987-88 წლების სტიქიით მიყენებულმა პირდაპირმა ზარალმა 1მლრდ დოლარს გადააჭარბა, ხოლო 1991-92 წლებში _ 10მლრდ შეადგინა. XX საუკუნის ბოლოსათვის ეკომიგრანტების რისკმა 60 000 გადააჭარბა, ხოლო ადამიანთა მსხვერპლმა 1000.
7	გეოლოგიური საფრთხის შესაფასებლად, ყველაზე მნიშვნელოვანია მომხდარი პროცესის შესახებ ისტორიული ინფორმაციის შეგროვება, ისტორიული წყაროებიდან, საველე კვლევებიდან, ინტერვიუებიდან და აეროფოტოსურათების დეშიფრირებიდან მიღებული ინფორმაცია, უმნიშვნელოვანესი საშიში გეოლოგიური პროცესების შესახებ, არსებული კადასტრული მონაცემები, თუმც ხშირ შემთხვევაში ინფორმაციის დეფიციტთან გვაქვს საქმე. აღნიშნულ პუბლიკაციაში განხილულია გეოლოგიური საფრთხეების (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავ-ქვათაცვენა და სხვა) შეფასებისთვის საჭირო საველე კვლევების მეთოდოლოგიები.

8	საქართველოში ქვეყნის მდგრადი განვითარების ტემპს მნიშვნელოვნად ამუხრუჭებს ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური მდგენელების სინერგიზმი, რომლის უშუალო ანარეკლია სტიქიური გეოლოგიური მოვლენების ინტენსიური გააქტიურება და მასშტაბური განვითარება. პროცესების განვითარება-რეაქტივაციის მიზეზები მრავალსპექტრიანია, რომელთა შორის პროცესმაპროფილებელი ფაზისური დეტერმინანტული ფაქტორების გვერდით, გადამწყვეტ ადგილს იკავებენ დროსა და სივრცეში აქტიურად ცვალებადი კლიმატურ-მეტეოროლოგიური პარამეტრების მაჩვენებლები, ადამიანის საინჟინრო-სამეურნეო საქმიანობის უკიდურესად მაღალი პრესინგი და მიწისძვრების გააქტიურება. საქართველოში მაღალმთიანი ზონის გარდა თითქმის არ მოინახება ტერიტორია, სადაც უარყოფითი გეოლოგიური მოვლენების წარმოქმნა არ იყოს დაკავშირებული ადამიანის საქმიანობასთან. გეოლოგიური სტიქიის რისკების შემცირების პოტენციალს არანაკლებ ართულებს სტიქიის საშიშროების შეცნობისადმი საზოგადოების მზადყოფნის უკმარისობა, რაც პირველ ყოვლისა გამოიხატება მის არასაკმარის ინფორმირებაში და კატასტროფების მართვითი მექანიზმის არასრულყოფილებაში. ბუნებრივი კატასტროფების საშიშროების რისკის შესაფასებლად და ადრეული გაფრთხილების ეფექტური სისტემის შესაქმნელად ეროვნულ, რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე აუცილებელია ვიცოდეთ სად რა სახისა და მასშტაბის გეოლოგიური სტიქიის წარმოქმნა-გააქტიურება არის მოსალოდნელი და რა საშიშროებას უქადის მოსახლეობას და ინფრასტრუქტურულ ობიექტებს. ამასთან გეოლოგიური სტიქიის საშიშროების მართვითი ღონისძიებები უნდა ეფუძნებოდეს სიტუაციის ისეთ შეფასებით კრიტერიუმებს, როგორიც არის ტერიტორიის სტიქიური მოვლენების სახეობითი დაზიანებადობის ხარისხი და მათი წარმოქმნა-რეაქტივაციის მიზეზების განსაზღვრა, ასევე პირისპირ მყოფი ობიექტების საშიშროების რისკის შეფასება. ამ პრობლემების რეალიზაციისათვის აუცილებელია გვქონდეს პერმანენტულად წარმოებული რეგიონალური ხასიათის გეომონიტორინგული კვლევები მთელი ქვეყნის მასშტაბით; 2. გეოლოგიური სტიქიის შეფასების კრიტერიუმები ცალკეული რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით და შეფასებული სტიქიის საშიშროების რისკი და ელექტრონულ ვერსიაში დამუშავებული სპეციალური რუკები 1:50 000-1:100 000 მასშტაბში; 3. ორგანიზებული მეორე და მესამე დონის რეჟიმულ-სტაციონალური პოლიგონები განსაკუთრებულად რელევანტურ და სტრატეგიულად მნიშვნელოვან ობიექტებზე. 4. დამუშავდეს ცალკეული რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით გეოლოგიური სტიქიური პროცესების განვითარების ტენდეციების ისტორიულ-სტატისტიკური მონაცემები იმ ფაქტორთა კონტექსტში, რომლების განაპირობებენ პროცესების წარმოქმნა-რეაქტივაციის პირობებს; 5. თანამედროვე რეალობიდან გამომდინარე დამუშავდეს საქართველოს ტერიტორიის მეწყრულ-გრავიტაციული პროცესების რუკა ელექტრონულ ფორმატში 1:200 000 მასშტაბში.
9	მდ. მდ. თერგის, არაგვისა და ასა-არღუნის აუზები, რომლებიც იკავებენ ცენტრალური კავკასიონის მთიანი რეგიონის მნიშვნელოვან სივრცეს, თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, სტრატეგიული მნიშვნელობით, ბუნებრივი ლანდშაფტის განსაკუთრებული თავისებურებებით და მასში განლაგებული საინჟინრო ობიექტებით (ტრანსკავკასიის საავტომობილო გზა, მაგისტარლური გაზსადენი, დედაქალაქის წყალმომარაგების არტერიები, გუდაურის სამთო-სათხილამურო კომპლექსი), წიაღისეული სიმდიდრეებით, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძეგლებით, სამთო ტურიზმისა და ალპინიზმის ინდუსტრიის განვითარების შესაძლებლობებით, სადაც მომავალში კიდევ უფრო მეტი საინჟინრო-სამეურნეო დანიშნულების მნიშვნელოვანი პროექტები ისახება, ყოველივე ეს დიდ პერსპექტივას იძლევა საკუთარი ეკონომიკური ბაზის განვითარებისათვის, მოსახლეობის დასაქმების და მიტოვებული სოფლების აღორძინებისათვის. მით უმეტეს, რომ მათი პერიმეტრის უდიდესი ნაწილი სახელმწიფო საზღვარს წარმოადგენს. ამავე დროს, რეგიონის უკიდურესად რთული რელიეფი, ლანდშაფტურ- კლიმატური პირობები და სენსიტიური გეოლოგიური გარემო ყოველთვის განსაზღვრავდა მოსახლეობის განსახლებისა და მეურნეობის საქმიანობის სპეციფიკას და განაპირობებდა გეოგრაფიული გარემოს ლანდშაფტურ-ეკოლოგიურ წონასწორობას. მაგრამ, ვინაიდან ოპტიმალურად ასათვისებელი მიწები უკიდურესად შეზღუდულია, მისმა უსისტემო ათვისებამ გამოიწვია მიწების დეგრადაცია-გაუდაბურება კრიზისულ მდგომარეობამდე. ამას, თავის მხრივ მოჰყვა, ისედაც ძლიერ გართულებული, მრავალსახეობრივი სტიქიური

	გეოლოგიური პროცესების (ეროზია, მეწყრები, ღვარცოფები, თოვლის ზვავები და სხვა) კიდევ უფრო მასშტაბური განვითარება, რასაც თან სდევდა განუზომლად დიდი მატერიალური ზარალი, ათასობით ადამიანის მიერ საცხოვრებელი სახლის დატოვება, ათეულობით სოფლის დაცარიელება და ადამინათა მსხვერპლი.
10	გეოლოგიური მონიტორინგული კვლევები საფუძველზე ემომზადებული ანგარიში საქართველოს მთელს ტერიტორიაზე 2014 წელს განვითარებული სტიქიური გეოლოგიური პროცესების (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავ-ქვათაცვენა და სხვა) განვითარების შედეგები, რეკომენდაციების გაცემა სხვადასხვა სახის დამცავი ღონისძიებების გატარების მიზნით და 2015 წლის პროგნოზი.
11	შავი ზღვის სანაპირო ზონა საქართველოს ფარგლებში ძირითადად აკუმულაციური ტიპის არის. აკუმულაციური პროცესები მდინარეების მიერ უხვად შემოტანილი ზღვაში ნატანით და ზღვის ტალღური რეჟიმით არის წარმოქმნილი, რომელიც ანაწილებდა შემოტანილ ნატანს სანაპიროს გასწვრივ. პლაჟების არსებობა თავისთავად უზრუნველყოფდა ხმელეთის მდგრადობას ჰოლოცენის მეორე ნახევარში, ბოლო 5-6 ათასი წლის განმავლობაში. ძირითად მდინარეებზე ჰესე-ბის მშენებლობის გამო მნიშვნელოვნად შემცირდა ფხვიერი ნატანის შემოსვლა ზღვაში. შედეგად, აკუმულაციურ ნაპირებზე შეიმჩნევა პლაჟების მოცულობის შემცირება, რის შედეგად სანაპირო ზოლი თითქმის ყველგან განიცდის წარეცხვებს. ნაპირების მდგრადობის შესანარჩუნებლად დღის წესრიგში დგას ნაპირდაცვის ახალი სტრატეგიის შემუშავება, რომლის მიზანია პლაჟების ხელოვნურად მომარაგება ნატანით. ნატანის ყოველწლიური შეტანა უნდა ითვალისწინებდეს ადრე არსებულ ბუნებრივი პროცესების აღდგენას, რაც შეუწყობს ხელს ბუნებრივი ლანდშაფტების შენარჩუნებას.
12	გეოლოგიური გაბურღვებით პალიასტომის ტბის ქვაბულიდან მოპოვებული ნალექების ნიმუშების ლითოლოგიურ-ფაციალური ანალიზის შედეგების გათვალისწინებით გაკეთებულია დასკვნა, რომ აღნიშნული ტბის წარმოქმნა-განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შავი ზღვის საშუალო დონის ცვალებადობამ ჰოლოცენის ეპოქის მეორე ნახევარში.
13	ჩვენი მიზანი იყო ახლო მანძილის ფოტოგრამეტრიის მეთოდის გამოყენება ზღვის სანაპირო ზონის გეოეკოლოგიური მონიტორინგისათვის პორტუგალიის ერთ-ერთი პლაჟის – რამალიას პლაჟის მაგალითზე. რამალიას პლაჟს გადავუღეთ აეროფოტოები უპილოტო საფრენი აპარატით – swinglet CAM-ით, რომელსაც ვკონტროლებდით პროგრამა eMotion 2 - ით. პროგრამა AგისოფტPჰოტოშცანPროფესსსიონალ-ში აეროფოტოების დამუშავების შედეგად მივიღეთ საკვლევი ადგილის 2-განზომილებიანი გეორეფერენსირებული ორთოფოტო და 3-განზომილებიანი ციფრული სიმაღლებრივი მოდელი. ამ ჯერზე სახმელეთო საკონტროლო წერტილების კოორდინატები არ დაგვიზუსტებია და ამიტომ სიმაღლის ცდომილება დაახლოებით 2.8. მეტრი მივიღეთ. ეს არ არის საკმარისი მაღალი სიზუსტის რუკების შესაქმნელად, რომელიც სანაპირო ზოლის მონოტინგისათვის გამოდგებოდა. თუმცა აღნიშნული მოდელების საფუძველზე გეოსაინფორმაციო სისტემებში შესაძლებელია საკვლევი არეალის მაღალი სიზუსტის (1სმ-5სმ) მსხვილმასშტაბიანი რუკების შექმნა, თუ კი მიღებული მოდელების კოორდინატებს და სიმაღლის მნიშვნელობებს დავაზუსტებთ შერჩეულ სახმელეთო საკონტროლო წერტილებში თანამგზავრული ნავიგაციის დიფერენციალური სისტემის (DGPS) გამოყენებით.

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	იგორ ბონდირევი	საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია	SPRINGER, აშშ	300 გვ.
ანოტაციები				
1	მონოგრაფიაში მოცემულია ინფორმაცია საქართველოს მდებარეობის, კლიმატის, გეოლოგიის, გეომორფოლოგიური თავისებურების შესახებ. მასში დეტალურადაა განხილული გეოგრაფიულ გარსში მიმდნარე თანამედროვე პროცესები. მონოგრაფია არის პირველი კომპლექსურ			

	გეოგრაფიული ნაწარმოები ინგლისურ ენაზე და განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლ.ტიელიძე	Glaciers Change Over the Last Century, Caucasus Mountains, Georgia, Observed by the Old Topographical Maps, Landsat and ASTER Satellite Imagery	The Cryosphere Discussion. Vol. 9, Issue 4.	Germany, European Geosciences Union. Copernicus Office.	გვ.3777-3806
2	ლ.ტიელიძე რ.კუმლაძე ლ.ასანიძე	Glaciers Reduction and Climate Change Impact over the Last One Century in the Mulkhura River Basin, Caucasus Mountains, Georgia.	International Journal of Geosciences, Vol. 6, No. 5.	China. Scientific Research Publishing	გვ. 465-472
3	ლ.ტიელიძე ნ.ლომიძე ლ.ასანიძე	Glaciers Retreat and Climate Change Effect During the Last One Century in the Mestiachala River Basin, Caucasus Mountains, Georgia.	Earth Sciences, Vol. 4, No. 2.	USA. science publishing group	გვ.72-79
4	ლ.ტიელიძე გ.ლომინაძე ნ.ლომიძე	Glaciers Fluctuation over the Last Half Century in the Headwaters of the Enguri River, Caucasus Mountains, Georgia.	International Journal of Geosciences, Vol. 6, No. 4.	China. Scientific Research Publishing	გვ. 393-401
5	ვ.პოპოვნინი ა.რეზეპკინი ლ.ტიელიძე	Superficial moraine expansion on the Djankuat Glacier snout over the direct glaciological monitoring period.	Earth Cryosphere, Vol. Xix, № 1.	Russia. Russian Academy of Sciences Publishing	გვ. 89-98
6	ლ.ტიელიძე ლ.გადრანი რ.კუმლაძე	A One Century Record of Changes at Nenskra and Nakra River Basins Glaciers, Causasus Mountains, Georgia.	Natural Science, Vol. 7, No. 3.	China. Scientific Research Publishing	გვ. 151-157
7	ლ.ტიელიძე ლ.გადრანი მ.ციცაგი ნ.ჩიხრაძე	Glaciers Dynamics Over the Last One Century in the Kodori River Basin, Caucasus Mountains, Georgia, Abkhazeti.	American Journal of Environmental Protection. Special Issue: Applied Ecology, Problems, Innovations, Vol. 4, No. 3-1.	USA. science publishing group	გვ. 22-28
8	ლ.ტიელიძე ნ.ჩიხრაძე დ.სვანაძე	Glaciers Amount and Extent Change in the Dolra River Basin in 1911-1960-	American Journal of Climate Change. Vol. 4, No. 3.	China. Scientific Research Publishing	გვ. 217-225

		2014 years, Caucasus Mountains, Georgia, Observed with Old Topographical Maps and Landsat Satellite Imagery.			
9	ლ. ლენდი ლ. ასანიძე	როლალონგის ხვედრითი წინააღმდეგობის ანალიზის შედეგები კარსტის პალეოტოპოგრაფიის ჩამოყალიბების შესახებ	მე-14 მულტიდისციპლინარული კონფერენცია ღრმულებზე და კარსტზე საინჟინრო და გარემოს ზემოქმედების შესახებ	როჩესტერი, მინესოტა, აშშ. კონფერენციის მასალები	გვ. 365-370
10	ზ. ლეჟავა კ. წიქარიშვილი ნ.ბოლაშვილი ლ. ასანიძე ნ.ჩიხრაძე გ.ჩართოლანი	სათაფლია-წყალტუბოს კირქვული მასივის გეომორფოლოგიური თვისებები. (ინგლისურ ენაზე).	საერთაშორისო ჟურნალი "დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები". სპეციალური ნომერი: "გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები". ტ. 4, № 5-1, 2015. doi: 10.11648/j.earth.s.2015040501.30 ISSN: 2328-5974 (Print); ISSN: 2328-5982 (Online)	გამომცემლობა: Science Publishing Group. ნიუ იორკი, აშშ.	გვ. 108-112
11	ზ. ლეჟავა ნ. ბოლაშვილი კ. წიქარიშვილი ლ. ასანიძე ნ. ჩიხრაძე	ბაქნური კარსტის (ზემო იმერეთის პლატო, საქართველო) ჰიდროლოგიური და ჰიდროგეოლოგიური დახასიათება. (ინგლისურ ენაზე)	მე-14 მულტიდისციპლინარული კონფერენცია ღრმულებზე და კარსტზე საინჟინრო და გარემოს ზემოქმედების შესახებ	როჩესტერი, მინესოტა, აშშ. კონფერენციის მასალები	გვ. 93-100
12	გ.გაფრინდაშვილი კ.ვ. ვესტენ	მეწყრების საფრთხეების და რისკების რუკების შემუშავება საქართველოში (ინგ)	ჟურნალი „ბუნებრივი საფრთხეები“, DOI 10.1007/s11069-015-1958-5	ნიდერლანდების სამეფო	გვ. 1-33
13	გ.გაფრინდაშვილი მ.გაფრინდაშვილი	კატასტროფული ღვარცოფი დარიალის ხეობაში (საქართველო) -	ჟურნალი “ბუნებრივი მეცნიერებები“, 7, doi:	აშშ	379-389

		(ინგ)	10.4236/ns.2015.77041		
14	ვ.სპანუ გ.გაფრინდაშვილი მ.მაკ კოლი	ღვარცოფის საფრთხე საქართველოში - მონაწილეობითი მეთოდი კატასტროფების რისკის შესაფასებლად (ინგ)	გეომეცნიერებათა საერთაშორისო ჟურნალი, 6, doi: 10.4236/ijg.2015.67054	აშშ	გვ. 666-674.
15	მ. ალფენიძე ზ. სეფერთელაძე ე. დავითაია გ. გაფრინდაშვილი თ. ალექსიძე	საქართველოს შავი ზღვისპირეთის ბუნებრივ-გეოგრაფიული ზონირება და გეოეკოლოგიური პრობლემები (ინგ)	გარემოს დაცვის ამერიკული ჟურნალი, სპ. გამოცემა: გამოყენებითი ეკოლოგია, პრობლემები, ინოვაცია, ტ. 4, #3-1	აშშ	გვ. 58-66
16	ზ.სეფერთელაძე ე.დავითაია გ.მემარნე შ.ლამპარაძე გ.გაფრინდაშვილი თ.ალექსიძე მ.გაბაიძე	დასავლეთ საქართველოს აგროლანდშაფტური ზონირება მანდარინი - ტიახარა უწმიოს გავრცელების ოპტიმალური რეგიონის შერჩევის მიზნით (ინგ)	გამოყენებითი კვლევების ინდური ჟურნალი, ტომ. 5, გამოცემა: 2, თებერვალი	ინდოეთი	გვ. 259-267
17	ე.წერეთელი გ.გაფრინდაშვილი ც.დონაძე თ. ნანობაშვილი ო. ქურციკიძე	გეოლოგიური პროცესების და რუკების შედგენის მეთოდოლოგიის ზოგიერთი ასპექტი საქართველოს მაგალითზე (ინგ)	საერთ. კონფერენცია: გამოყენებითი ეკოლოგია: პრობლემები, ინოვაცია“ შრომათა კრებული (ICAE-2015). მაისი	საქართველო	გვ. 30-36.
18	ნ. ჩიხრაძე რ. ენრიკეში ნ. ბოლაშვილი გ. ლომინაძე	ახლო მანძილის ფოტოგრამმეტრია ზღვის სანაპირო ზონის გეოეკოლოგიური მდგომარეობის კვლევაში (პორტუგალიის მაგალითზე). (ინგლისურ ენაზე)	საერთაშორისო ჟურნალი "დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები". სპეციალური ნომერი: "გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები". ტ. 4, № 5-1, 2015. doi:10.11648/j.earth.s.2015040501.17. ISSN: 2328-5974 (Print); ISSN: 2328-5982 (Online)	გამომცემლობა: Science Publishing Group. ნიუ იორკი, აშშ	გვ. 35-40

19	დ.ნიკოლაიშვილი ე.სალუქვაძე, ნ. ბოლაშვილი ნ. ჩიხრაძე და სხვ	კოლხეთის დაბლობისა და მიმდებარე ტერიტორიის ლანდშაფტების ტრანსფორმაცია. (ინგლისურ ენაზე)	საერთაშორისო ჟურნალი "დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები". სპეციალური ნომერი: "გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები". ტ. 4, № 5-1, 2015. doi: 10.11648/j.earth.s.2015040501.22 ISSN: 2328-5974 (Print); ISSN: 2328-5982 (Online)	გამომცემლობა: Science Publishing Group. ნიუ იორკი, აშშ	გვ. 68-72

ანოტაციები

1	სტატიაში მოცემულია საქართველოს კავკასიონის მყინვარების დინამიკა. ცალკული მდინარეთა აუზების მიხედვით განხილულია მყინვარების რაოდენობისა და ფართობის პროცენტული და რაოდენობრივი ცვლილება 1911-1960-2014 წლებში. შესწავლილია საქართველოს მაღალმთიანი მეტეოსადგურების ჰაერის ტემპერატურული და ატმოსფერული ნალექების მსვლელობა. გამოვლენილია ის მდინარეთა აუზები სადაც მყინვარების ფართობისა და რაოდენობის შემცირების ყველაზე დიდი მაჩვენებლები გვაქვს და ახსნილია ამის მიზეზები.კვლევის დროს ჩვენ გამოვიყენეთ მე-19 საუკუნის 1:42 000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკები, რომელიც შედგენილია კავკასიის პირველი ტოპოგრაფიული აგეგმვის დროს, მენზუალური ხერხით. აგრეთვე გამოვიყენეთ კავკასიონის ცნობილი მკვლევარის კ. პოდოზერსკის მიერ 1911 წელს შედგენილი კავკასიონის სამხრეთ ფერდობის მყინვარების კატალოგი, რომელიც მე-19 საუკუნის რუკების საფუძველზეა შედგენილი. მე-20 საუკუნის 60-იანი წლების მყინვარების რაოდენობისა და ფართობის დასადგენად ჩვენ გამოვიყენეთ მე20-21ე საუკუნის ქართველი გლაციოლოგის რ. გობეჯიშვილის შრომა, რომელმაც 1960 წლის 1:50 000 ტოპოგრაფიული რუკების საფუძველზე შეადგინა საქართველოს მყინვარების ახალი დახასიათება. 2014 წლის მონაცემები მიღებული გვაქვს L8 OLI/TIRS (Operational Land Imager and Thermal Infrared Sensor) კოსმოსური სურათებით, რომელიც 2014 წლის აგვისტოს თვეშია გადაღებული.აღნიშნულ კვლევაში ძველი ტოპოგრაფიული რუკებისა და კოსმოსური სურათების გარდა ვიყენებთ კლიმატურ ინფორმაციას, რომელიც მიღებული გვაქვს საქართველოს მაღალმთიანი მეტეოსადგურებიდან. მყინვარების დინამიკის პარალელურად დადგენილია ჰაერის ტემპერატურებისა და ატმოსფერული ნალექების მსვლელობა მე20 საუკუნესა და 21-ე საუკუნის დასაწყისში.ნაშრომის ბოლოს მოცემულია საქართველოს უდიდესი მყინვარ ტვიბერის დინამიკა ბოლო ერთი საუკუნის განმავლობაში ზემოთაღნიშნული წლების მიხედვით, აგრეთვე გამოვლენილია საქართველოს სამი უდიდესი მყინვარი.
2	სტატიაში მოცემულია მდინარე მულხურას აუზის მყინვარების დინამიკა. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ბოლო დაახლოებით ერთი საუკუნის განმავლობაში მდ. მულხურას აუზში მყინვარების ფართობი 34%-ით შემცირდა, ხოლო მათმა რაოდენობამ 281%-ით მოიმატა. აღნიშნულ პერიოდში კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე არცერთ სხვა მდინარის აუზში მყინვარების რაოდენობის ასეთი დიდი მატება არ ფიქსირდება. ეს ყველაფერი გამოიწვია იმ ფაქტმა რომ მე19 საუკუნის ბოლოსა და მე20 საუკუნის დასაწყისში მულხურას აუზის მყინვარების ფართობი საქართველოს საერთო მყინვარების ფართობის ~17%-ს წარმოადგენდა და იმ დროისათვის მულხურას აუზი საქართველოს გამყინვარების მთავარ კერას წარმოადგენდა. ამ აუზში მდებარეობდა საქართველოს ორი უდისესი ხეობის რთული ტიპის მყინვარი ტვიბერი და წანერი (ნაგებასთან ერთად). სწორედ ამ მყინვარების დეგრადაციის შეგედად წარმოიქმნა შედარებით მცირე ზომის ხეობის მარტივი და კიდევ უფრო მცირე კარული ტიპის მყინვარები.

3	სტატიაში განხილულია კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე მდებარე მდ. მესტიაჭალის აუზის მყინვარების დინამიკა ბოლო ერთი საუკუნის განმავლობაში. მოცემულია ხეობის რთული ტიპის მყინვარების ფართობის პროცენტული შემცირება ჰაერის ტემპერატურასთან კავშირში. განხილულია საქართველოში უდიდესი მყინვარის - ლეხზირის უკანდახევა და ფართობის შემირება სხვადასხვა წლების მიხედვით. დადგენილია სიმაღლებრივი გრადიენტი და კორელაცია რეგიონში მდებარე ერთადერთ მოქმედ მეტეო სადგურის (მესტია) ჰაერის ტემპერატურულ მონაცემებსა და ჩვენ მიერ 2011 წელს მყინვარ ჭალაათზე გაზომილ ჰაერის ტემპერატურულ მონაცემებს შორის, transfer function-ის საშუალებით აღდგენილია ჭალაათის ჰაერის ტემპერატურების მსვლელობა 1906-2013 წლებში. აგრეთვე გამთვლილია მყინვარ ჭალაათის ზედაპირული მოდნობა.
4	აღნიშნულ სტატიაში მოცემულია მდინარე ენგურის სათავეებში მდებარე მყინვარების პარამეტრების ცვალებადობა, 1960-2013 წლებში, მდინარე ენგურის სათავეები მდებარეობს კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე, საქართველოში. კვლევის დროს გამოვიყენეთ 1960 წლის ტოპოგრაფიული რუკები და 2014 წლის Landsat-ის კოსმოსური სურათები და 2014 წლის GPS-ის მონაცემები. კვლევის დროს ასევე დავადგინეთ მყინვარის ფართობისა და ენის დინამიკა კლიმატურ ელემენტებთან კავშირში. კვლევის შედეგად დავადგინეთ, რომ 1960-2013 წლებში ენგურის სათავეებში მყინვარების ფართობი 21.3%-ით შემცირდა, ხოლო რაოდენობამ 9.5%-ით მოიმატა. მყინვარების რაოდენობის მომატება მყინვარ ხალდეს ფირნის არეში დნობის შედეგად რამდენიმე მცირე ზომის მყინვარის წარმოქმნამ განაპირობა, თორემ იგივე წლებში კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე თითქმის ყველა მყინვარულ აუზში მყინვარების ფართობის შემცირების პარალელურად მათი რაოდენობის კლებას აქვს ადგილი. აღნიშნულ პერიოდში მყინვარების არც თუ ისე დიდ უკანდახევას აქვს ადგილი. უკანდახევის ყველაზე პარატა მაჩვენებელი მყინავრ შხარაზე ფიქსირდება ~5.6 მ/წელიწადში, ხოლო ყველაზე დიდი უკანდახევა მყინვარ ადიშზე დაფიქსირად ~9.3 მ/წელიწადში, შესაბამისად ადიშის ენამაც სხვა მყინვარებთან შედაებით ყველაზე დიდი მანძილით აიწია სიმაღლეში და ზ.დ. 2330 მერტიდან 2485 მეტრამდე გადაინაცვლა.
5	ცვალებადობა რომელიც მიღებულია სხვადასხვა წლების (1968-1983-2010) საველე გამოკვლევების საფუძველზე. კვლევის დროს ასევე გამოვიყენეთ დისტანციური ზონდირების მეთოდი. შედეგად დავადგინეთ, რომ მყინვარის ზედაპირზე ბოლო წლების განმავლობაში ნაშალი მასალა მკვეთრად იმატებს. 1968 წელს ნაშალი მასალით დაფარული იყო მყინვარის მხოლოდ 2%, ხოლო 2010 წელს მისი ფართობი 13%-ით გაიზარდა. რაც შეეხება, ნაშალის სისქეს - 42 წლის განმალობაში მორენული საფარი სისქეში მომატებულია 6.5-ჯერ და საშუალოდ 70 სმ-ს შეადგენს. ნაშალი მასალის ასეთი მკვეთრი მატება მყინვარის ზედაპირზე ცვლის მზის რადიაციას, დნობის ინტენსივობას და მყინვარის მასის ბალანსს.
6	აღნიშნულ სტატიაში მოცემულია მდინარეების ნენსკრას და ნაკრას აუზი მყინვარების ცვალებადბა ბოლო ერთი საუკუნის განმავლობაში. კვლევის შედეგად დავადგინეთ, რომ 1911-2014 წლებში ნენსკრის აუზში მყინვარების ფართობი 50.54 კმ კვ-დან 48.62 კმ კვ-მდე შემცირდა, ხოლო რაოდენობა 54-დან 75-მდე გაიზარდა. იგივე პერიოდში ნაკრას აუზში მყინვარების ფართობი 20.24 კმ კვ-დან 18.49 კმ კვ-მდე შემცირდა, ხოლო რაოდენობა 26-დან 31-მდე გაიზარდა. აღნიშნულ დროის მონაკვეთში კავკასიონის სამხრეთ ფერდობის თითქმის ყველა მყინვარულ აუზში იგივე სურათი გვქონდა. რაც შეეხება 1960-2014 წლების პერიოდს, აქ უკვე განსხვავებული სურათი გვაქვს. კერძოდ, მყინვარების ფართობის შემცირებასთან ერთად ადგილი აქვს მათი რაოდენობის კლებას. მაგ. მდ. ნენსკრას აუზში მყინვარების ფართობი თითქმის განახევრდა, ანუ 48.62 კმ კვ-დან 25.58 კმ კვ-მდე შემცირდა, შესაბამისად რაოდენობაც 75-დან 67-მდე შემცირდა. მსგავსი სურათი გვაქვს ნაკრას აუზში, სადაც იგივე პერიოდში მყინვარების ფართობი 18.49 კმ კვ-დან 10.21 კმ კვ-მდე შემცირდა, ხოლო რაოდენობა 31-დან 28-მდე.
7	აღნიშნული ნაშრომში განხილულია ბოლო ერთი საუკუნის განმავლობაში კოდორის აუზის მყინვარების დინამიკა, რომელიც მდებარეობს, კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე კერძოდ საქართველოში. აგრეთვე მოცემულია აუხლესი სტატისტიკური ინფორმაცია ცალკეულ მდინარეთა აუზებში მდებარე მყინვარების შესახებ, განხილულია მათი მორფოლოგიური ტიპები, ექსპოზიცია და დინამიკა ცალკეული წლების მიხედვით. კვლევის დროს გამოვიყენეთ კ. პოდოზერსკის მიერ 1911 წელს შედგენილი საქართველოს

	მყინვარების კატალოგი. აგრეთვე გამოვიყენეთ 1960 წელს, ყოფილი საბჭოთა კავშირის გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტის მიერ შედგენილი 1:25,000 და 1:50,000 მასშტაბის სამხედრო ტოპოგრაფიული რუკები, სადაც დეტალურადაა დატანილი იმ დროინდელი კავკასიონის სამხრეთ ფერდობის მყინვარები და მათი ენების დაბოლოვება. აგრეთვე გამოვიყენეთ დისტანციური ზონდირების მეთოდი, რომელიც მყინვარების დინამიკის კვლევისათვის ყველაზე კარგი თანამედროვე საშუალებაა და გამოირჩევა შედეგების სწრაფად მიღებით. კვლევისათვის საჭირო მასალას წარმოადგენს ''Landsat''-ის ხელოვნური თანამგზავრიდან მიღებული სპექტრული გამოსახულებები LandsatTM (Thematic Mapper) (USGS). შემდეგ გამოვიყენეთ Composite Bands-ის ფუნქცია პროგრამა ArcGis-ის დახმარებით და გამოსახულებები დავალაგეთ 7-4-2 ის თანმიმდევრობით. აღნიშნული მეთოდის გამოყენების შედეგად დავადგინეთ კოდორის აუზის მყინვარების დინამიკა.
8	სტატიაში მოცემულია მდინარე დოლრას მყინვარების ფართობისა და რაოდენობის ცვლილება ბოლო ერთი საუკუნის განმავლობაში, კლიმატურ ელემენტებბთნ კავშირში. მდ. დოლრას აუზი მდებარეობს ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე ზემო სვანეთის ტერიტორიაზე და ერთიანდება მდინარე ენგურის აუზში, რომელიც თავის მხრივ საქართველოს თანამედროვე გამყინვარების მთავარ კერას წარმოადგენს. აგრეთვე შესწავლილია მესტიის მეტეო სადგურის ჰაერის ტემპერატურული და ატმოსფერული ნალექების მსვლელობა მყინვარების დინამიკასთან კავშირში. ჩატარებული კვლევის შედეგად ვასკვნით, რომ 1911-1960 წლებში მდ. დოლრას აუზში მყინვარების რაოდენობამ 42%-ით მოიმატა, ხოლო ფართობი თითქმის იგივე დარჩა. ფართობის უცვლელობა გამოწვეულია ძველ ტოპოგრაფიულ რუკებზე დაშვებული შეცდომებით. იგივე პერიოდში ჰაერის ტემპერატურურების მსვლელობა ხასიათდება უარყოფითი ტრენდით. რაც შეეხება 1960-2013 წლებს, ამ პერიოდში მყინვარების ფართობი 30.2%-ით შემცირდა, ხოლო მათმა რაოდენობამ 42.9%-ით მოიმატა. იგივე პერიოდში ჰაერის ტემპერატურის ტრენდი დადებითია და საშუალო მრავალწლიური ტემპერატურა $+0.1^0$C-ით მაღალია საშუალო საუკუნეობრივ ტემპერატურაზე. ატმოსფერული ნალექების ტრენდიც დადებითია, მაგრამ დეკემბრის თვე ხასიათდება ნალექების კლებით.
9	კონფერენციაზე მოხსენებული იყო ელექტრული გამოკვლევების ზოგიერთი შედეგები, რომელიც 2014 წლის გაზაფხულზე ჩატარდა ნიუ მექსიკოში, სადაც წყალდიდობის შედეგად წარმოიქმნა რამდენიმე კარსტული დოლინა სამანქანო გზის სიახლოვეს. ლაზერული დასხივების მეთოდით, ელექტრული გამოკვლევები ძირითადად მიმდინარეობდა ზედაპირიდან დაახლოებით 50-60 მეტრ სიღრმეზე თაბაშირიან ქანებში, სადაც აღმოჩნდა მცირე კარსტული სიცარიელეები, რომლებიც უშუალოდ დაკაშირებულნი იყვნენ ზედაპირზე დოლინების წარმოშობასთან. ზედაპირზე ძირითადად წარმოდგენილია თიხნარი ნიადაგები, რომლებიც ირეცხება ინტენსიურად წყალდიდობის დროს და ჩაიტანება სიღრმეში.
10	სათაფლია-წყალტუბოს კირქვული მასივის კარსტო და სპელეოგენეზის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, გეოლოგიური აგებულებით და ტექტონიკით განპირობებული, დღემდე სუსტად შესწავლილი რაიონის გეომორფოლოგიური თავისებურება წარმოადგენს. მუშაობის პროცესში ვისარგებლეთ დღემდე აპრობირებული ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევის როგორც ტრადიციული, ისე უახლესი მეთოდიკური სისტემებით. მოვახდინეთ ტერიტორიის დეტალური გეომორფოლოგიური და კარსტულ-სპელეოლოგიური გამოკვლევები, ჩატარდა მსხვილმასშტაბიანი აგეგმვითი სამუშაოები, რის საფუძველზეც შედგა წყალტუბოს კირქვული მასივის გეომორფოლოგიური სქემატური რუკა და გამოიყო რელიეფის გენეტური ტიპები.
11	კარსტის სისტემატური შესწავლის დასაწყისიდანვე ჩამოყალიბდა მიწისქვეშა კარსტული წყლების ცირკულაციის ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებები. მკვლევართა გარკვეული ნაწილი ასაბუთებდა, რომ კარსტულ ოლქებში უნდა არსებობდეს კარსტული წყლების ერთიანი დონე. ხოლო, ნაწილი მკვლევარებისა უპირატესობას აძლევდნენ იზოლირებული სისტემების თეორიებს. დასავლეთ საქართველოს კირქვულ ზოლში, რომელიც წარმოადგენს კავკასიონის ოროგენული ოლქის ნაწილს, ქართველ მკვლევართა მიერ დადგენილია იზოლირებული მიწისქვეშა აუზები. ამ მოსაზრებას ავტორთა ჯგუფიც იზიარებს. ამასთან ერთად, აღნიშნული კარსტული ზოლის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, რომელიც ცნობილია ზემო იმერეთის კარსტული პლატოს სახელწოდებით, გამოითქვა მოსაზრება კარსტული წყლების ერთიანი დონის არსებობის შესახებ.

12	სტატიაში განხილულია საქართველოში მეწყერების, ღვარცოფების, კლდეზვავ-ქვათაცვენის საფრთხეების შეფასება თანამედროვე მეთოდოლოგიებით, საშიშროების რუკის შედგენა, ტერიტორიის დარაიონება ბუნებრივი საფრთხეების მიხედვით. გამოყენებულია სხვადასხვა ფაქტორული რუკები (ფერდობების დახრილობა, ექსპოზიცია, გეოლოგია, სეისმურობა, ნიადაგის საფარი, გეომორფოლოგია და სხვა).
13	ყაზბეგის მუნიციპალიტეტის უკიდურესად რთული რელიეფი, ლანდშაფტურ-კლიმატური პირობები და სენსიტიური გეოლოგიური გარემო ყოველთვის განსაზღვრავდა მოსახლეობის განსახლებისა და მეურნეობის საქმიანობის სპეციფიკას და განაპირობებდა გეოგრაფიული გარემოს ლანდშაფტურ-ეკოლოგიურ წონასწორობას. მაგრამ, ვინაიდან ოპტიმალურად ასათვისებელი მიწები უკიდურესად შეზღუდულია, მისმა უსისტემო ათვისებამ გამოიწვია მიწების დეგრადაცია-გაუდაბურება კრიზისულ მდგომარეობამდე. ამას, თავის მხრივ მოჰყვა, ისედაც ძლიერ გართულებული, მრავალსახეობრივი სტიქიური გეოლოგიური პროცესების (ეროზია, მეწყერები, ღვარცოფები, თოვლის ზვავები და სხვა) კიდევ უფრო მასშტაბური განვითარება, რასაც თან სდევდა განუზომლად დიდი მატერიალური ზარალი, ათასობით ადამიანის მიერ საცხოვრებელი სახლის დატოვება, ათეულობით სოფლის დაცარიელება და ადამიანთა მსხვერპლი. სტატიაში განხილულია 2014 წელს დარიალის ხეობაში განვითარებული კატასტროფული ღვარცოფების განვითარების პირობები და მისგან გამოწვეული უარყოფითი შედეგები.
14	სტატიაში განხილულია მონაწილეობითი მეთოდის გამოყენებით საშიში ბუნებრივი საფრთხეების იდენტიფიცირება, საშიშროების რისკის შეფასება, რეკომენდაციების გაცემა და მონაცემთა ბაზის შექმნა. საკვლევ ტერიტორიად შერჩეული იქნა დუშეთის მუნიციპალიტეტი სოფ. ქვემო და ზემო მლეთა, სადაც ღვარცოფული და მეწყრული პროცესები საფრთხეს უქმნის მოსახლეობას და ინფრასტრუქტურას.
15	რეგიონის ბუნებრივ-გეოგრაფიულ ზონირებაში ვგულისხმობთ განსაზღვრული ტაქსონომიური რანგის გეოკომპლექსების გამოვლენასა და კარტოგრაფირებას. გეოკომპლექსები - ინდივიდუალური ტერიტორიული ერთეულები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ბუნებრივი პირობები, ლანდშაფტების ჰიფსომეტრიული მდებარეობითა და მათი სივრცებრივი განლაგებით, გეოეკოლოგიური პრობლემებით, ანთროპოგენური ზემოქმედებების ფორმებითა და მასშტაბებით, სამეურნეო ათვისების ხასიათითა და ხარისხით. რეგიონის გეოეკოლოგიური პრობლემებით დაინტერესება განპირობებულია შავი ზღვისპირა (საქართველოს ფარგლები) ზოლის ბუნებათსარგებლობის პროცესში, სამეურნეო ათვისებასთან დაკავშირებული დინამიკური წონასწორობის მოსალდნელი რღვევებით. ბუნებრივი სისტემების ნეგატიურ გარდაქმნებს კი მისი ფუნქციონირების მოშლისა და არასასურველი გარდაქმნებისაკენ მივყავართ. გეოეკოლოგიური პრობლემის მეცნიერული გადაწყვეტა შესაძლებელია გარემოს კომპონენტებისა და გეოკომპლექსების მეცნიერული კვლევების საფუძველზე გეოგრაფიულ-ეკოლოგიური ასპექტების თანამედროვე მდგომარეობის შეფასებით, ანალიზითა და პროგნოზით.
16	შემუშავდა დასავლეთ საქართველოს ნოტიო სუბტროპიკული ზონის ზოგიერთ ციტრუსოვან კულტურათა რაციონალური განლაგებისა და ტერიტორიების სამეურნეო ათვისების, მათი აგრორესურსული პოტენციალის განსაზღვრის ლანდშაფტური – მრავალფაქტორული მეთოდი (12). აქცენტი გაკეთდა განსაკუთრებით იმ კომპონენტებზე (რელიეფი, კლიმატი, ნიადაგები), რომლებიც არსებით ზემოქმედებას ახდენენ ციტრუსოვანთა ზრდა–განვითარებასა და მოსავლიანობაზე. ჩატარდა იაპონიიდან ინტროდუცირებული მანდარინის ყინვაგამძლე ჯიშის - ტიახარა უწშიუს, ქართული საადრეოს და ადრეულას მორფომეტრიული ანალიზი (ბიომეტრიული მაჩვენებლები, ზრდის დასასრული და დასასრული, ნაყოფის მომწიფების დასაწყისი და მასიური მომწიფება, ყინვაგამძლეობა და სხვ.). ლანდშაფტთა მრავალფაქტორული (მრავალკომპონენტური) მეთოდის გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს თითოეული კომპონენტის როლს ციტრუსოვანთა გავრცელებაში, უმთავრესია: რელიეფი (დანაწევრება, დახრილობა, ექსპოზიცია), კლიმატი (ტემპერატურული ინვერსიები, აქტიურ ტემპერატურათა ჯამი, ჰიდროთერმული კოეფიციენტი და სხვ.) და ნიადაგური პირობები. აღნიშნული მეთოდის გამოყენებითა და მორფომეტრიული ანალიზის მეშვეობით, შესაძლებელი გახდა მანდარინის ყინვაგამძლე ჯიშების რანჟირება (GIS-ტექნოლოგიებით) ლანდშაფტურ საფუძველზე, რის შედეგადაც დადგენილ იქნა, რომ დასავლეთ საქართველოში მანდარინის აღნიშნული ყინვაგამძლე ჯიშების გავრცელება და მაღალი მოსავლის

	მიღება სავსებით შესაძლებელია რეგიონის უფრო მაღალ სუბტროპიკულ ზონებშიც.
17	გეოლოგიური სტიქიის ძლიერ ზეგავლენას (ხშირად კატასტროფული შედეგებით) პერიოდულად განიცდის ათასობით დასახლებული პუნქტი, მიწის სავარგულები, გზები, ნავთობ და გაზსადენების ტრასები, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ანძები, ჰიდროტექნიკურ-სამელიორაციო ობიექტები, სამთო-ტურისტული კომპლექსები და სხვ. სტიქიის საშიშროების არეალში მოქცეულია თითქმის ყველა ლანდშაფტურ-გეოგრაფიული ზონა - შავიზღვისპირეთიდან დაწყებული, მაღალმთიან-ნივალურით დამთავრებული, სადაც გეოეკოლოგიური სიტუაცია უკიდურესად გართულებულია "დაძაბულიდან"-"კრიზისულ" მდგომარეობამდე. აქ განვითარებული ღვარცოფებით, მეწყრულ-გრავიტაციული და ეროზიული მოვლენებით, წყალდიდობებით გამოწვეული უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული და ეკოლოგიური შედეგები მოიცავენ ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროს. სტატიაში განხილულია გეოლოგიური მოვლენების შეფასების და საფრთხეების რუკების შედგენის მეთოდოლოგიური მიდგომები.
18	ახლო დიაპაზონის ციფრული ფოტოგრამეტრია, რომელიც მოიცავს უპილოტო საფრენი აპარატის (UAV) გამოყენებას, გამოიყენება უფრო და უფრო ხშირად სხვადასხვა სამეცნიერო დარგში მრავალმხრივი მიზნებისთვის. ჩვენი მიზანი იყო გამოიგვეყენებინა ახლო დიაპაზონის ციფრული ფოტოგრამეტრია ზღვის სანაპირო ზონის თანამედროვე გეოეკოლოგიური მდგომარეობის კვლევაში პორტუგალიის ჩრდილო-დასავლეთ სანაპირო ზონის მაგალითზე და მიგვეღო საკვლევი მონაკვეთის გეორეფერენსირებული ორთოფოტოები და ციფრული სიმაღლებრივი მოდელები (DEM).
19	სხვადასხვა მონაცემების საფუძველზე გამოვლენილი იქნა კოლხეთის დაბლობისა და მიმდებარე მთისწინეთის ლანდშაფტების ანთროპოგენური ტრანსფორმაცია. სათანადო რუკების (სხვადასხვა ისტორიული პერიოდების ამსახველი მცენარეული და ლანდშაფტური რუკები, ტოპოგრაფიული რუკები) გამოყენებით განსაზღვრული იქნა ამ ცვლილებების ხარისხი. მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, რომ კოლხეთის ლანდშაფტების ანთროპოგენური ტრანსფორმაცია ძალიან მრავალფეროვანია და ეს მრავალფეროვნება დაკავშირებულია მრავალ ფიზგეოგრაფიულ და ადამიანურ ფაქტორთან.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ე. წერეთელი გ. გაფრინდაშვილი	ქალაქების, დასახლებული პუნქტებისა და ნაგებობების დაცვა მეწყრულ-გრავიტაციული და ღვარცოფული საშიშროებისაგან	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბილისი, 11 დეკემბერი
2	ზ. ჯანელიძე ნ. ჩიხრაძე	შავი ზღვის ევსტაზიის როლი პალიასტომის ტბის ქვაბულის წარმოქმნა–განვითარებაში	22-25 ოქტომბერი, 2015 წ. საერთაშორისო კონფერენცია "გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები". თბილისი, საქართველო
ანოტაცია			
1	მეწყრულ-გრავიტაციული და ღვარცოფული პროცესების საშიშროების რისკის ქვეშ მოქცეული დასახლებული პუნქტების, ინფრასტრუქტურული ობიექტების მდგომარეობა საქართველოში, ბუნებრივი საფრთხეები გამომწვევი ძირითადი მიზეზები და მათ აღმოსაფხვრელად ჩატარებული და დაგეგმილი სამუშაოები.		
2	გეოლოგიური გაბურღვებით პალიასტომის ტბის ქვაბულიდან მოპოვებული ნალექების ნიმუშების ლითოლოგიურ-ფაციალური ანალიზის შედეგების გათვალისწინებით გაკეთებულია დასკვნა, რომ აღნიშნული ტბის წარმოქმნა-განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შავი ზღვის საშუალო დონის ცვალებადობამ ჰოლოცენის ეპოქის მეორე ნახევარში.		

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	გ. გაფრინდაშვილი	მეწყრის საშიშროების შეფასება სამხრეთ საქართველოში სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით	13 აპრილი, 2015, სალერნო, იტალია ახალი მიდგომები საინჟინრო-გეოლოგიაში
სამცხე-ჯავახეთის რეგიონში სტიქიური კატასტროფული მოვლენებით დაზიანებული ტერიტორიების მდგომარეობის გამოკვლევის და შეფასების მიზნით ჩატარებული კვლევა. მათი წარმოშობა-განვითარების ძირითადი კანონზომიერებების დადგენა, გამომწვევი ბუნებრივი და ანთროპოგენური ფაქტორების გამოვლენა, სტიქიური მოვლენების განვითარების პროგნოზირება და მათი შერბილებისა და გაუვნებელყოფის ეფექტური ღონისძიებების შემუშავება. სტატისტიკური მეთოდოლოგიით გეოლოგიური საფრთხეების (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავ-ქვათაცვენა და სხვა) შეფასება და საშიშროების რუკების შედგენა.			
2	გ. გაფრინდაშვილი	მტკნარი მიწისქვეშა წყლების რესურსების საქართველოში და მათი მართვის პრობლემები	12-17 აპრილი, 2015, ვენა, ავსტრია ევროპის გეომეცნიერებათა კავშირის გენერალური ასამბლეა (EGU-2015)
საქართველოს მიწისქვეშა მტკნარი წყლების ბუნებრივი რესურსები შეადგენს 573 მ3/წმ. ეს რესურსები ტერიტორიულად არათანაბრადაა გადანაწილებული, კერძოდ: დასავლეთ საქართველოზე მოდის მათი 63%, აღმოსავლეთ საქართველოზე - 24%, ხოლო სამხრეთ საქართველოზე - 13%, რის გამოც მოსახლეობისათვის სუფთა სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა, თითქმის ყველა რეგიონში პრობლემად რჩება. აღნიშნულიდან გამომდინარე, აგრეთვე ბოლო ათწლეულებში მსოფლიო კლიმატის გლობალური ცვლილების ტენდენციის პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მიწისქვეშა წყლების რესურსების დაცვასა და რაციონალურ გამოყენებას.			
3	ზ. ლეჟავა, ნ. ბოლაშვილი, ლ. ასანიძე ნ. ჩიხრაძე კ.ჭიქარიშვილი	ბაქნური კარსტის (ზემო იმერეთის პლატო, საქართველო) ჰიდროლოგიური და ჰიდროგეოლოგიური დახასიათება	NCKRI SYMPOSIUM 5 მე -14 მრავალდისციპლინარული კონფერენციის კარსტული ჭები და ინჟინერია და კარსტების ეკოლოგიური გავლენა. 2015 წ. როჩესტერი, მინესოტა, აშშ
კარსტის სისტემატური შესწავლის დასაწყისიდანვე ჩამოყალიბდა მიწისქვეშა კარსტული წყლების ცირკულაციის ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებები. მკვლევართა გარკვეული ნაწილი ასაბუთებდა, რომ კარსტულ ოლქებში უნდა არსებობდეს კარსტული წყლების ერთიანი დონე. ხოლო, ნაწილი მკვლევარებისა უპირატესობას აძლევდნენ იზოლირებული სისტემების თეორიებს. დასავლეთ საქართველოს კირქვულ ზოლში, რომელიც წარმოადგენს კავკასიონის ოროგენული ოლქის ნაწილს, ქართველ მკვლევართა მიერ დადგენილია იზოლირებული მიწისქვეშა აუზები. ამ მოსაზრებას ავტორთა ჯგუფიც იზიარებს. ამასთან ერთად, აღნიშნული კარსტული ზოლის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, რომელიც ცნობილია ზემო იმერეთის კარსტული პლატოს სახელწოდებით, გამოითქვა მოსაზრება კარსტული წყლების ერთიანი დონის არსებობის შესახებ.			

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ლ.ტიელიძე	Glaciers Amount and Extent Change over the Last Century, Caucasus	17. 04. 2015. Woods Hole Oceanographic

		Mountains, Georgia	Institution. Woods Hole, Massachusetts, USA. New England Glaciology Meeteng.
ანოტაცია პრეზენტაციაში მოცემულია საქართველოს კავკასიონის მყინვარების ცვალებადობა ბოლო ერთი საუკუნის გამნავლობაში. კვლევის დროს ჩვენ გამოვიყენეთ მე-19 საუკუნის 1:42,000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკები, რომელიც შედგენილია კავკასიის პირველი ტოპოგრაფიული აგეგმვის დროს, მეწზუალური ხერხით. აგრეთვე გამოვიყენეთ კავკასიონის ცნობილი მკვლევარის კ. პოდოზერსკის მიერ 1911 წელს შედგენილი კავკასიონის სამხრეთ ფერდობის მყინვარების კატალოგი, რომელიც მე-19 საუკუნის რუკების საფუძველზეა შედგენილი. მე-20 საუკუნის 60-იანი წლების მყინვარების რაოდენობისა და ფართობის დასადგენად ჩვენ გამოვიყენეთ რ. გობეჯიშვილის შრომა, რომელმაც 1960 წლის 1:50,000 ტოპოგრაფიული რუკების საფუძველზე შეადგინა საქართველოს მყინვარების ახალი დახასიათება. 2014 წლის მონაცემები მიღებული გვაქვს L8 OLI/TIRS (Operational Land Imager and Thermal Infrared Sensor) კოსმოსური სურათებით, რომელიც 2014 წლის აგვისტოს თვეშია გადაღებული. აღნიშნულ კვლევაში ძველი ტოპოგრაფიული რუკებისა და კოსმოსური სურათების გარდა ვიყენებთ კლიმატურ ინფორმაციას, რომელიც მიღებული გვაქვს საქართველოს მაღალმთიანი მეტეოსადგურებიდან. მყინვარების დინამიკის პარალელურად დადგენილია ჰაერის ტემპერატურებისა და ატმოსფერული ნალექების მსვლელობა მე20 საუკუნესა და 21-ე საუკუნის დასაწყისში.			
2	ლ.ტიელიძე	Glacier Change over the Last Century, Caucasus Mountains, Georgia	10. 04. 2015. The University of Maine. Orono, Maine. USA. Harold W. Borns Symposium.
ანოტაცია პრეზენტაციაში მოცემულია კავკასიონის მყინვარების დინამიკა. ცალკული მდინარეთა აუზების მიხედვით განხილულია მყინვარების რაოდენობისა და ფართობის პროცენტული და რაოდენობრივი ცვლილება 1911-1960-2014 წლებში. შესწავლილია საქართველოს მაღალმთიანი მეტეოსადგურების ჰაერის ტემპერატურული და ატმოსფერული ნალექების მსვლელობა. გამოვლენილია ის მდინარეთა აუზები სადაც მყინვარების ფართობისა და რაოდენობის შემცირების ყველაზე დიდი მაჩვენებლები გვაქვს და ახსნილია ამის მიზეზები.			

❖ ჰიდროლოგია-კლიმატოლოგიის განყოფილება

სამეცნიერო ერთეულის დასახელება: ჰიდროლოგია-კლიმატოლოგიის განყოფილება
სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი გეოგრ. აკად.დოქტორი - **დალი მუმლაძე**
სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

1. ნანა ბოლაშვილი
2. კუკური თავართქილაძე
3. გაგუა გივი
4. ნინო ლომიძე
5. ნიკა სუქნიძე
6. ვახტანგ გელაძე
7. თამაზ ყარალაშვილი
8. ნინო მაჭავარიანი
9. ნანა გეთიაშვილი
10. დავით ქართველიშვილი
11. იამზე ზარნაძე
12. რევაზ სოლომონიძე

I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	საარქივო მასალებიდან ინსტრუმენტული დაკვირვებისპერიოდის ჰაერის ტემპერატურის, ატმოსფერული ნალექების და თოვლის საფარის მონაცემების მოპოვება, ბაზის შექმნა და ნორმების განსაზღვრა თვეების მიხედვით	დ.მუმლაძე	დ.მუმლაძე ნ.ლომიძე ნ.სუქნიძე ი.ზარნაძე
2	თერმული ექსტრემუმების დადგენა სეზონების მიხედვით	დ.მუმლაძე	დ.მუმლაძე ნ.ლომიძე ნ.სუქნიძე
3	შიდა კახეთში ვაზის აგროეკოლოგიური პირობები და რეკომენდაციები მათი გაუმჯობესებისათვის	გ.გაგუა	გ.გაგუა
4	საქარველოში ჰავის თანამედროვე ცვლილება და მისი გარემოზე ზემოქმედების შეფასება	კ.თავართქილაძე	კ. თავართქილაძე რ. სოლომონიძე
5	საქართველოს ზედაპირული წყლის რესურსების მართვის სისტემის საფუძვლის შექმნა	ვ. გელაძე	ნ.ბოლაშვილი თ. ყარალაშვილი ნ.მაჭავარიანი დ.ქართველიშვილი ნ.გეთიაშვილი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები	
1	თანამედროვე მსოფლიოში მეტეოროლოგიურ ელემენტებზე ინსტრუმენტული დაკვირვება საუკუნეზე მეტი პერიოდია ხორციელდება. ამ პერიოდის მასალა ადგილის კლიმატის შესწავლის, ანალიზისა და ცვლილების დადგენისათვის კარგ საშუალებას იძლევა. ეს მასალა დროში ცვლილების (ტრენდი) დადგენის კუთხით უფრო ზუსტი და სანდოა, ვიდრე ის მასალა, რომლებიც ირიბად გვამცნობენ (ისტორიული წყაროები, დენდრო-ქრონოლოგია, ყინულის კერნი) კონკრეტული პერიოდის კლიმატის მდგომარეობას შესახებ. ინსტრუმენტული დაკვირვებით კლიმატის შესწავლა საქართველოში მე-19 საუკუნის 40-იანი წლებიდან, თბილისის ობსერვატორიის გახსნით იწყება. მას ცოტა მოგვიანებით მოყვა იმ პერიოდისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის პუნქტების ამოქმედება: გუდაური (1870წ.), კობი (1887წ.), ყაზბეგი (1894წ.). ქვეყანაში მეტეოროლოგიური ქსელის მნიშვნელოვანი გაფართოება მე-20 საუკუნის დასაწყისიდან იწყება. მეტეოსადგურების რიცხვმა 1960 წლისათვის 200-ს გადააჭარბა. 1935 წლამდე მეტეოსადგურზე დაკვირვება 3 ვადაზე წარმოებდა (07, 13, და 21 სთ. გრინვიჩის დრო), 1936 წლიდან სამ ვადიანი დაკვირვება 4 ვადით (01, 07, 13, და 19 სთ.) შეიცვალა ყველა სადგურისათვის გარდა ცალკეული სპეციალიზებული მეტეოსადგურებისა. ეს პროცესი 1941 წელს დასრულდა. მიუხედავად იმისა, რომ მეტეო მონაცემის ერთ ვადაზე დაყვანისათვის ჩატარდა სამუშაოები მათ ერთგვაროვანს ვერ ვუწოდებთ სადგურების ადგილმდებარეობის შეცვლის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. მოგვიანებით, 1950-იანი წლებიდან ამინდზე დაკვირვება 8 ვადაზე (0, 03, 06, 09, 12, 15, 18, 21 სთ. გრინვიჩის დრო) წარმოებდა მთელი ქვეყნის ფარგლებში. 1990-იან წლებში საქართველოში შექმნილი პოლიტიკური დაძაბულობისა და ეკონომიკური კრიზისის ფონზე ბევრი მეტეოსადგური დაიხურა. მეტეო დაკვირვება მხოლოდ რამდენიმე სადგურზე წარმოებდა და ისიც გარკვეული ხარვეზით (დაკვირვების ვადების გამოტოვებით). 21-ე საუკუნის დასაწყისში შექმნილი სიტუაცია გამოსწორდა, თანდათანობით მეტეო ქსელი კვლავ დაიტვირთა. თანამედროვე მდგომარეობით 14 მეტეოსადგურზე ფართო სპექტრის მეტეოდაკვირვება მიმდინარეობს და ზოგიერთ პუნქტი სრულად ავტომატიზირებულია. ინსტრუმენტულ მეტეო დაკვირვებას განსაკუთრებული მნიშვნელობა კლიმატის ცვლილების შესწავლის კუთხით ენიჭება. ის ფაქტი, რომ უკვე გრძელვადიანი (რიგ შემთხვევებში 100 წელიწადზე მეტი პერიოდი), სინქრონული დაკვირვების რიგი არსებობს, საშუალებას იძლევა რეალურ დროში, ციფრებში გამოვხატოთ კლიმატის თანამედროვე ცვლილების ხასიათი და მისი განვითარების ტენდენციები. საქართველოში კლიმატის ცვლილების ტენდენციისა და მასშტაბის გამოსავლენად ჰაერის ტემპერატურის, ატმოსფერული ნალექის და თოვლის საფარის განაწილების მიხედვით ვიმსჯელებთ. იმის გათვალისწინებით, რომ გრძელვადიანი დაკვირვების მასალა გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის არქივშია, მოვახდინეთ 74 წლიანი (1940-2014) დაკვირვების მონაცემის შეგროვება და ელექტრონულ ფორმატში წარმოდგენა 34 მეტეოსადგურებისათვის. უნდა ითქვას, რომ არქივში დაცული ჩანაწერებშიც კი არც ერთ ელემენტზე არ იყო მასალა წყვეტის გარეშე. ამიტომ მასალის მოპოვებისა და დიგიტალიზაციის შემდეგ საჭირო გახდა მონაცემის აღდგენა. ამისათვის გამოყენებულ იქნა ა. ობუხოვის ფორმულა: $ai = \frac{\overline{a}+(bi-\overline{b})\times covar(a,b)\div varp(b)}{n}$ სადაც ai - აღსადგენი მონაცემი; a – აღსადგენი მეტეოსადგური b – აღმდგენი მეტეოსადგური $\overline{a}$ - აღსადგენი მეტეოსადგურის დაკვირვების რიგის საშუალო $\overline{b}$ - აღმდგენი მეტეოსადგურის დაკვირვების რიგის საშუალო bi - აღმდგენი მონაცემი n - მონაცემთა რაოდენობა covar -კოვარიაცია varp - ვარიაცია

	აღნიშნული ფორმულა ითვალისწინებს ერთი მეტეოსადგურის მონაცემით მეორის აღდგენას. ამ ფორმულისათვის დაიწერა მაკროსი (Macros) ექსელში. ჰაერის ტემპერატურის მონაცემთა აღდგენა ხდება ერთმანეთთან კარგად კორელირებადი მეტეოსადგურებით. კვლევის ფარგლებში ეს პარამეტრი ორი მეტეოსადგურის ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურის მონაცემის ერთმანეთთან შედარებით იქნა გამოვლენილი და მონაცემები ძირითადად აღდგენილ იქნა იმ მეტეოსადგურებით, რომელთა კორელაციის კოეფიციენტმა r≥0.9 შეადგინა. ჰაერის ტემპერატურის მონაცემების აღდგენისას ვხელმძღვანელობდით ზონალობის პრინციპით, რაც იმაში მდგომარეობს, რომ დასავლეთ საქართველოს მეტეოსადგურებისათვის დასავლეთის მეტეოსადგურებს შორის ვეძებდით კარგად კორელირებად სადგურს, აღმოსავლეთ საქართველოსათვის კი აღმოსავლეთ ნაწილში. ეს ამოცანა ყველაზე მარტივი ზღვის დონიდან 900 მეტრ სიმაღლემდე მდებარე სადგურებისათვის აღმოჩნდა, ხოლო მაღალმთიანი მეტეოსადგურებისათვის როგორიცაა შოვი (2395მ) კარგად კორელირებადი მეტეოსადგურის გამოვლენა ვერ მოვახდინეთ. ეს ფაქტი იმით აიხსნება, რომ ჩვენ მოკრძალებულ მეტეოროლოგიურ ბაზაში არ აღმოჩნდა საკმარისი რაოდენობით მასალა, რითაც აღნიშნული სადგურის ნაკლულ ინფორმაციას შევავსებდით. მონაცემების აღდგენის ზემოთ ნახსენები მეთოდი მხოლოდ ჰაერის ტემპერატურის შემთხვევაშია მართებული. ატმოსფერულ ნალექებზე მისი გამოყენება დიდი ცდომილების გამო შეუძლებელია. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მონაცემები დავტოვეთ ისე, როგორც მოცემული იყო პირველ წყაროში. აღდგენილი მასალით 34 მეტეოსადგურისათვის მოვახდინეთ 1961-1990; 1971-2000; და 1981-2010 წლების ჰაერის ტემპერატურისა და ატმოსფერული ნალექის თვიური და წლიური ნორმების გამოთვლა, ასევე თოვლის საფარის საშუალო, მინიმალური და მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრა.
2	სეზონების მიხედვით თერმული ექსტრემუმების სიხშირისა და ინტენსიობის დადგენას უსათუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკისათვის, რადგან ტემპერატურული ექსტრემუმები წარმოადგენენ საშიში ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების ერთერთ გამოვლინებას, რომელთაც შეუძლიათ უდიდესი ზარალი მიაყენონ ქვეყნის მეურნეობას, განსაკუთრებით კი სასოფლო-სამეურნეო დარგს. ტემპერატურულ ექსტრემუმად შეიძლება ჩითვალოს თვე, როდესაც თვის საშუალო ტემპერატურის განხრა შეადგენს ±3°C საშუალო მრავალწლიურ თვიურ ტემპერატურასთან მიმართებაში. საკვლევ ტერიტორიაზე ჰაერის ტემპერატურის ექსტრემუმებს ადგილი აქვს ამინდის ანტიციკლონალური პროცესის დროს. ის განპირობებულია სამხრეთიდან მშრალი კონტინენტური ჰაერის შემოდინებით, რასაც თან ახლავს ჰაერის შეფარდებითი სინოტივის დაცემა, უწვიმო პერიოდის ხანგრძლივობა, მშრალი ქარები და სხვ. ჰაერის ტემპერატურის ექსტრემუმების სტატისტიკური სტრუქტურის შესწავლისას საჭიროა იმ ფაქტორების (ძირითადად ეს ეხება ატმოსფეროს ცირკულაციას) ცოდნა, რომლებიც ტემპერატურის მრავალწლიური ნორმიდან დადებით განხრებს - ექსტრემუმებს განაპირობებს. საკვლევ პერიოდში (30 წლის მანძილზე) დადებითი ნიშნის ექსტრემუმების რიცხვი გაიზარდა, რაც ადასტურებს კლიმატის დათბობის. აქედან გამომდინარე კლიმატის თანამედროვე ცვლილება, რომელიც გლობალური დათბობის პროცესს წარმოადგენს თავის გავლენას ახდენს საქართველოს კლიმატურ სისტემაზშეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ბოლო რამდენიმე ათეული წელიწადია საქართველოს ტერიტორიაზე გახშირდა საშიში ჰიდრო-მეტეოროლოგიური მოვლენები. ძირითადად კი, გახშირებულია ჰაერის ტემპერატურის დადებითი ექსტრემალური მნიშვნელობები, რომელთა სტატისტიკური სტრუქტურის დადგენა ერთობ აქტუალური და რთულია ისეთი რელიეფის მქონე ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა.
3	შიდა კახეთი, რომელიც მოიცავს გურჯაანის, ყვარლის, თელავის, ახმეტის, ლაგოდეხის, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებს ვაზის გავრცელების უმსხვილეს არეალებს წარმოადგენენ საქართველოში. აქ ხარობს სხვადასხვა უნიკალური ჯიშის ყურძენი, რითაც ღვინოს განუმეორებელი სახეობები ყენდება. ამის მიზეზი არის როგორც ხელსაყრელი კლიმატური პირობები, ისე კარგი ნიადაგი. იმისათვის, რომ ნაყოფიერება გაიზარდოს, და შესაბამისად მოსავალიც იყოს ეკოლოგიურად სუფთა, ამისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნიადაგს. ჩვენი კვლევების საუძველზე დავადგინეთ, რომ ვაზის ფესვების გამოკვებისათვის კარგი იქნება მდ.დურუჯის ნაშალი მასალა მსხვილი ქვების გარეშე. კერძოდ კი, დაფქვილი ნივთიერების ვენახის ფესვში შეტანა. ამ გზით მოხდება როგორც ყურძნის პროდუქტიულობის გაზრდა, ისე მდ. დურუჯის კალაპოტის გაწმენდა. ეს უკანასკნელი დიდ საფრთხეს უქმნის ქ. ყვარელს მისი ღვარცოფული ბუნების გამო.

4	შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს მაგალითზე შესწავლილია ორი განსხვავებული ქვეფენილი ზედაპირის (ზღვისა და ხმელეთის ზედაპირები) გამყოფი ზონის ტემპერატურული რეჟიმის ფორმირებაზე განსხვავებული ზედაპირების ტემპერატურული ველების გავლენა. რეგიონალური ჰავის ცვლილების ფონზე დადგენილია სანაპირო ზონის ტემპერატურული ველის ცვლილება. საანგარიშო პერიოდში საქართველოს დაკვირვების 28 პუნქტისათვის ჩატარდა ატმოსფერული ნალექების ემპირიულ მონაცემთა სრულყოფილი ობიექტური ანალიზი (გამოტოვებულ შემთხვევათა აღდგენა; დაკვირვებათა რიგების ერთი და იგივე პერიოდზე მიყვანა) მრავალგანზომილებიან სივრცეში შემთხვევითი ფუნქციის ბუნებრივ ორთოგონალურ ვექორებად დაშლის მეთოდით. დადგინდა 1936-2009 წლებში ნალექთა ნორმირებული ჯამების შემცირება წრფივი მიახლოებით, კერძოდ: წლის შემთხვევაში ნორმის 6,8%/100წ-ით; თბილ სეზონში ნორმის 5,4%/100წ-ით; ცივ პერიოდში ნორმის 9,5%/100წ-ით. განხილული პერიოდის ბოლო წლებში (1990-2009წწ.), საქართველოში ტემპერატურული ველის ინტენსიურ ზრდასთან ერთად აღინიშნება ნალექთა ჯამების მატება.
5	შეიქმნა მონაცემთა ბაზების სივრცითი სტრუქტურა, შერჩეული იქნა კოდირების სისტემა და შეტანილ იქნა საქართველოს მდინარეებზე არსებული ჰიდროლოგიური სადგურების (მოქმედი, დახურული) წყლის ყოველდღიური ხარჯები და დონეები. ამჟამად ჰიდომეტეოროლოგიის დეპარტამენტში მიმდინარეობს პროგრამა - HEC-DSSVue-ის გარჩევა დანერგვა. აღნიშნული პროგრამის საშუალებით შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის განაწილების ფუნქციების (უზრუნველყოფის მრუდების) და დროითი ჰიდროლოგიური რიგების დამუშავება და ანალიზი. მიმდინარეობს თანამშრომლობა გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაბამის განყოფილებასთან.

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	საქართველოში თოვლის საფარის ევოლუცია და მისი ურთიერთკავშირი გარემოსთან	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ნ. ლომიძე	ნ. ლომიძე
	დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
1	პროექტი ,,საქართველოში თოვლის საფარის ევოლუცია და მისი ურთიერთკავშირი გარემოსთან“ გახლდათ ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის ფარგლებში განხორციელებული პროექტი. ის მოიცავდა კვლევის ჩატარებას შვეიცარიის თოვლისა და ზვავების შემსწავლელ ინსტიტუტში სტაჟირებას 2 თვის განმავლობაში (02.03-01.05). მოხდა საქართველოდან წაღებული თოვლის საფარის სტატისტიკური მასალის დამუშავება იმ მეთოდებისა და მიდგომების გათვალისწინებით, რომელსაც ადგილი შვეიცარიაში. შედარებულ იქნა შვეიცარიასა და საქართველოში თოვლის საფარის სიმაღლის ცვლილების ტენდენციები. შესწავლილ იქნა თოვლის საფარის მოდელი ,,SNOWPACK”, რომელსაც იქ წარმატებით იყენებენ თოვლის ზვავების პროგნოზირებისათვის. დაისახა მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივები.			

I. 2

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა		პროექტის	პროექტის

	და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	ხელმძღვანელი	შემსრულებლები
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები				
1	კახეთის წყლის რესურსების მართვის სისტემის საფუძვლის შექმნა; სამეცნიერო მიმართულება: 9-180 ჰიდროლოგია;	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ვ. გელაძე	ნ.ბოლაშვილი თ. ყარალაშვილი ნ .მაჭავარიანი დ. ქართველიშვილი ნ. ჩიხრაძე
1	შეგროვდა წყლის რესურსების შესახებ არსებული ინფორმაცია და გადაყვანილი იქნა ციფრულ ფორმატში; შეგროვდა და გადაყვანილი იქნა ციფრულ ფორმატში წყალმოხმარებისა და წყალსარგებლობის შესახებ მონაცემები; შეგროვდა მონაცემები მიწათსარგებლობის (ვენახი, ბაღი, სახნავი, სათიბი და სხვ.) შესახებ; საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საველე გასვლა საგარეჯოს, თელავის, გურჯაანის, დედოფლისწყაროსა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში; დაზუსტდა ინფორმაცია წყლის ობიექტებისა და საირიგაციო სისტემების მდგომარეობის შესახებ; ჩატარდა სოციოლოგიური გამოკითხვები; კახეთის რეგიონის ტოპოგრაფიული რუკა მიება გეოგრაფიულ კოორდინატებზე და აიციფრა (ArcGIS-ში) შემდეგი ფენები: იზოჰიფსები, ჰიდროგრაფიული ქსელი (მდინარე ხაზოვანი, პოლიგონალური, ტბები, წყალსაცავები, საირიგაციო არხები და სხვ.), დასახლებული პუნქტები, სატრანსპორტო ქსელი, ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების პუნქტები; გამოითვალა ტერიტორიის წყალუზრუნველყოფა და შეიქმნა რუკა; შეიქმნა დემოგრაფიული ვითარების რუკა; ერთ სულ მოსახლეზე წყალმოხმარების სხვადასხვა სტანდარტებისათვის გამოითვალა მოსახლეობის შესაძლო მაქსიმალური რაოდენობა და შეიქმნა რუკა; გამოანგარიშებულია წყლის რესურსებისა და წყალმოხმარების თანაფარდობა. იზოჰიფსებისგან აიგო დემი (რელიეფის 3-განზომილებიანი მოდელი, ციფრული სასიმაღლო მოდელი); საფუძვლიდან მიღებული იქნა ზომაში შემცირებული ყველა საჭირო ფენის გრაფიკული გამოსახულება მის ინტერაქტიურ ვებგვერდთან ადაპტაციის მიზნით; მომზადდა ვებგვერდის ესკიზი (მთავარი გვერდი, რესურსების გვერდი, საინფორმაციო სისტემის გვერდი, ფოტოგალერეის გვერდი, ტექსტური გვერდი).			

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	დ.მუმლაძე ნ.ლომიძე	კლიმატის გლობალურ ცვლილებებსა და ანთროპოგენეზს შორის კავშირი. გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები, საერთაშორისო კონფერენციის მასალები	საერთაშორისო კონფერენციის მასალები. ეძღვნება აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლისთავს	თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა	165-168
2	დ.მუმლაძე ნ.ლომიძე	შავი ზღვის სანაპირო ზონის კლიმატის	კონფერენციის მასალები	თბილისი	54-59

	ნ.სუქნიძე	თანამედროვე ცვლილება (საქართველოს ფარგლებში). გამოყენებითი ეკოლოგია: პრობლემები, ინოვაციები	საერთაშორისო კონფერენციის მასალები.ეძღვნება აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლისთავს		
3	გ.გაგუა მ.გონგაძე	შიდა კახეთში ყურძნის აგრო-ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.გამოყენებითი ეკოლოგია: პრობლემები, ინოვაციები, კონფერენციის მასალები.	საერთაშორისო კონფერენციის მასალები. ეძღვნება აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლისთავს	თბილისი	48-53
4	გ.გაგუა დ.მუმლაძე	მდინარე დურუჯის ჩამონატანი თიხა-ფიქლები და ღვინის ხარისხი.	საერთაშორისო კონფერენციის მასალები.ეძღვნება აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლისთავს	თბილისი, თსუ	208-2013
5	კ.თავართქილაძე ნ.ბეგალიშვილი თ.ცინცაძე	ნალექების ჰორიზონტალური გავრცობადობა და მისი სეზონური ცვლილება. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები,	№120	თბილისი, 2015	5-9
6	კ.თავართქილაძე გ.მეტრეველი	ზღვის ზედაპირისა და ხმელეთის მიწისპირული ჰაერის ტემპერატურული რეჟიმი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე	საერთაშორისო კონფერენციის მასალები.ეძღვნება აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლისთავს	თბილისი, თსუ	176-182
7	ვ.გელაძე, ნ.ბოლაშვილი, თ. ყარალაშვილი, ნ.მაჭავარიანი, ნ.ჩიხრაძე, დ.ქართველიშვილი	კახეთის წყლის რესურსების მართვის სისტემის საფუძვლის შექმნა	საერთაშორისო კონფერენციის მასალები, „გამოყენებითი ეკოლოგია, პრობლემები, სიახლეები“	თბილისი, თსუ	4 გვ.
ანოტაციები					
1	სტატიაში განხილულია აფრიკელი ჰომონიდების მიერ საცხოვრებელი ადგილის დატოვებისა და ევრაზიისაკენ მოძრაობის მიზეზების ვერსიები. პირველი ვერსიის თანახმად ის განპირობებულია				

	კლიმატის ცვლილებით; მეორე ვერსიის თანახმად კი ვულკანური ამოფრქვევებისა და მიწისძვრებით. ჩვენი აზრით ამ ფაქტის ძირთადი მიზეზი მდგომარეობს კლიმატის ცვლილებაში. სწორედ ამ ფაქტმა უბიძგათ ჰომინიდებს უკეთესი გარემო პირობების საძებნელად გადაადგილებისაკენ. დმანისში მათი კვალის არსებობაც ამ მიზეზით აიხსნება.
2	საქართველოს ფარგლებში შავი ზღვის სანაპირო ზონა, რომელსაც ჰუმიდური ლანდშაფტები ახასიათებს განსხვავებით შავი ზღვისაგან სუსტად, მაგრამ მაინც რეაგირებს კლიმატის თანამედროვე ცვლილებაზე (გლობალურ დათბობაზე), რომლისთვისაც დამახასიათებელია იანვრის ტემპერატურის მატება. სწორედ ამ თავისებურებებით განსხვავდება საკვლევი ტერიტორიის კლიმატის ცვლილება საქართველოს, კერძოდ ქვემო ქართლის სემიარიდული ლანდშაფტების კლიმატის თანამედროვე ცვლილებისაგან, სადაც იანვრის ტემპერატურა ბოლო 90 წლის მანძილზე 1°C-ითაა მომატებული რითაც გლობალურად მიმდინარე პროცესებზე თითქმის იდენტურად რეაგირებს.
3	მიგვაჩნია, რომ ვენახების სავეგეტაციო პერიოდში სეტყვისაგან დასაცავად მუდმივი გადაფარვა, თუნდაც ბადეებით, არახელსაყრელია. სასურველია კაპრონისგან დამზადებული ბადეების გამოყენება მხოლოდ სეტყვასაშიშ სიტუაციებში, მექანიზებული წესით გასაშლელად.
4	სტატიაში მოცემულია რეკომენდაციას შიგნიკახეთში (ასევე მევენახეობის სხვა რეგიონებშიც) შევიტანოთ მდ. დურუჯის ჩამონატანი ნაშალი მასალა, მსხვილი ქვების გარეშე. აღნიშნული გზით შეიცვლება ნიადაგის ფიზიკური თავისებურება (იგი აფუვდება), ასევე შეიცვლება ნიადაგის ფერი და ქიმიური შემადგენლობა (გამდიდრდება საჭირო მინერალური ნივთიერებებით). ნაშალი მასალის შავი ფერით ვაზზე ვახდენთ ორმხრივ დადებით გავლენას: ერთი მხრივ, ვეგეტაციური (ფენოლოგიური) პროცესების რეგულირებას და მეორე მხრივ, ფესვების ზრდას. ყოველივე აღნიშნული გაზრდის ყურძნის მოსავლიანობას, გააუმჯობესებს მიღებული ღვინის ხარისხობრივ მაჩვენებლებს. ამასთან ერთად გაკეთდება მეორე საქმეც – პერიოდულად გაიწმინდება მდინარე დურუჯის კალაპოტი, რაც თავიდან აგვაცილებს ღვარცოფულ კატასტროფებს.
5	შესწავლილია საქართველოში ატმოსფერული ნალექების ,,გავრცობადობის“ რეჟიმული სტრუქტურა. დაკვირვების 28 პუნქტის 1936-2009 წლების თვიური ჯამების მონაცემებით მიღებულია ფორმულა, რომელიც აკავშირებს ტერიტორიის ნებისმიერ ორ წერტილში ნალექების ერთდროულად მოსვლის ალბათობას მათ შორის მანძილთან. დადგენილია ნალექების გავრცობადობის სეზონური ცვლილება.
6	შესწავლილია ზღვის ზედაპირისა და ხმელეთის მიწისპირული ჰაერის ტემპერატურული რეჟიმი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ბათუმისა და ფოთის მრავალწლიურ მონაცემებზე დაყრდნობით. განსაზღვრულია ზღვის ზედაპირისა და მიმდებარე მიწისპირული ჰაერის შიდაწიური ტემპერატურული რეჟიმი. შესწავლილია და დადგენილია ტემპერატურული ველის ცვლილება ზღვის ზედაპირსა და მიმდებარე ატმოსფეროს მიწისპირულ ფენაში. გამოკვლეულია სინქრონული ტემპერატურული ვაარიაციების თავისებურებანი ზღვის ზედაპირსა და მიმდებარე მიწისპირული ჰაერის ტემპერატურებს შორის შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე.
7	წყალი გარემოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს, რაც აუცილებელია ყველა ცოცხალი ორგანიზმის, მათ შორის ადამიანის არსებობისათვის. მტკნარი წყლის დეფიციტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გლობალური პრობლემაა. ამჟამად დედამიწის მოსახლეობის დაახლოებით 40%-ს კონფლიქტი აქვს წყლის რესურსების გამო. გაეროს პროგნოზების თანახმად კლიმატის დათბობის შედეგად, მსოფლიოს მტკნარი წყლის მარაგი 20%-ით შემცირდება. ამასთან, წყალმცირე პერიოდებში შემცირდება მდინარის ჩამონადენი და გაუარესდება წყლის ხარისხი. საკვლევ რეგიონად შერჩეულია კახეთი. რეგიონში ადგილი აქვს წყლის რესურსების არარაციონალურ ხარჯვას და არამიზნობრივ გამოყენებას. რეგიონი ასევე წარმოადგენს გაუდაბნოებისადმი მგრძნობიარე-მოწყვლად ტერიტორიას, რაც კიდევ უფრო ამწვავებს მტკნარი წყლის პრობლემას, და სავარაუდოდ, გამოიწვევს ამ რაიონებიდან მოსახლეობის მიგრაციას. პროგნოზის თანახმად (საქართველოს მე–2 ეროვნული შეტყობინება კლიმატის ჩარჩო კონვენციისათვის, 2009) 21–ე ს–ის დასასრულისათვის კახეთის სამხრეთ ნაწილში მოსალოდნელია ჰიდროთერმული კოეფიციენტის მნიშვნელობის 1,1–დან 0,7–მდე შემცირება. რაც რეგიონის კლიმატს მშრალი სუბტროპიკებიდან ძლიერ არიდულ კატეგორიაში გადაიყვანს. გავლენა

	მეტნაკლებად გავრცელდება კახეთის მთელ ტერიტორიაზე. კლიმატის მიმდინარე ცვლილების ფონზე აღნიშნული პროცესის შერბილებისა და შეგუების ერთ–ერთი ყველაზე რეალური ქმედითი ღონისძიებაა მართვად წყალმოხმარებაზე გადასვლა წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების მიზნით.

II. 2. პუბლიკაციები::
ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნა-ლის/კრებუ ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნ. ბოლაშვილი, თ. ყარალაშვილი, ვ.გელაძე, ნ.მაჭავარიანი, ნ.ჩიხრაძე, დ.ქართველიშვილი	სოფლის მეურნეობაში წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება (ინგლისურ ენაზე)	29 (2015)	Procedia Environmental sciences, Elsevier	1 გვ.
2	ნ.მაჭავარიანი, ვ.გელაძე, ნ.ბოლაშვილი, თ. ყარალაშვილი, ნ.ჩიხრაძე, დ.ქართველიშვილი	კახეთის მდინარეების წყლის რესურსებისა და მყარი ნატანის მართვის პრობლემები		ბაქო	4 გვ.
ანოტაციები					
1	საკვლევ რეგიონად შეირჩა კახეთი. იგი მდიდარია ნაყოფიერი მიწებით და საძოვრებით. არის ქვეყნის მევენახეობისა და მემარცვლეობის წამყვანი რეგიონი. კახეთი გამოირჩევა საქართველოში წყლის რესურსების დეფიციტით, კახეთის წყლის რესურსები მართვის თვალსაზრისით წარმოადგენს მნიშვნელოვან და საინტერესო ობიექტს, სადაც ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების ფასი უაღრესად მაღალია. მდგრადი განვითარებისათვის აუცილებელია მართვად წყალმოხმარებაზე გადასვლა და წყლის დეფიციტის ან სიჭარბის შეფასება მის მოთხოვნილებასთან მიმართებაში. კახეთის წყლის რესურსების გსს შეიქმნა საქართველოს 1:200000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკის საფუძველზე.				
2	სტატიაში განხილულია კახეთის მდინარეების წყლის რესურსებისა და მყარი ნატანის მართვის პრობლემები. ყურადღება გამახვილებულია საქართველოსი ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელის მოშლაზე და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე.				

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	სათაური ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	დ.მუმლაძე ნ.ლომიძე	კლიმატის გლობალურ ცვლილებებსა და ანთროპოგენეზს შორის კავშირი	საერთაშორისო კონფერენცია ,,გამოყენებითი ეკოლოგია: პრობლემები, ინოვაციები" 7-10 მაისი, ბათუმი
2	დ.მუმლაძე	შავი ზღვის სანაპირო ზონის	საერთაშორისო კონფერენცია

	ნ.ლომიძე ნ.სუქნიძე	კლიმატის თანამედროვე ცვლილება (საქართველოს ფარგლებში)	მიძღვნილი აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლისთავისადმი. 28-29 ოქტომბერი, თბილისი
3	ნ. ბოლაშვილი	კახეთის წყლის რესურსების მართვის სისტემის საფუძვლის შექმნა	ბათუმი, მაისი, 2015
მოხსენებათა ანოტაციები			
1	მოხსენება ეხება აფრიკელი ჰომონიდების მიერ მათი საცხოვრებელი ადგილის დატოვებისა და ევრაზიისაკენ მოძრაობის მიზეზების ვერსიებს. პირველი ვერსიის თანახმად ის განპირობებულია კლიმატის ცვლილებით; მეორე ვერსიის თანახმად კი ვულკანური ამოფრქვევებისა და მიწისძვრებით. ჩვენი აზრით ამ ფაქტის ძირთადი მიზეზი მდგომარეობს კლიმატის ცვლილებაში. სწორედ ამ ფაქტმა უბიძგათ ჰომინიდებს უკეთესი გარემო პირობების საძებნელად გადაადგილებისაკენ. დმანისში მათი კვალის არსებობაც ამ მიზეზით აიხსნება.		
2	მოხსენებაში განხილულია საქართველოს ფარგლებში შავი ზღვის სანაპირო ზონა, რომელსაც ჰუმიდური ლანდშაფტები ახასიათებს განსხვავებით შავი ზღვისაგან სუსტად, მაგრამ მაინც რეაგირებს კლიმატის თანამედროვე ცვლილებაზე (გლობალურ დათბობაზე), რომლისთვისაც დამახასიათებელია იანვრის ტემპერატურის მატება. სწორედ ამ თავისებურებებით განსხვავდება საკვლევი ტერიტორიის კლიმატის ცვლილება საქართველოს, კერძოდ ქვემო ქართლის სემიარიდული ლანდშაფტების კლიმატის თანამედროვე ცვლილებისაგან, სადაც იანვრის ტემპერატურა ბოლო 90 წლის მანძილზე 1°C-ითაა მომატებული რითაც გლობალურად მიმდინარე პროცესებზე თითქმის იდენტურად რეაგირებს.		
3	კახეთი წარმოადგენს გაუდაბნოებისადმი მგრძნობიარე-მოწყვლად ტერიტორიას, რაც კიდევ უფრო ამწვავებს მტკნარი წყლის პრობლემას, და სავარაუდოდ, გამოიწვევს ამ რაიონებიდან მოსახლეობის მიგრაციას. პროგნოზის თანახმად (საქართველოს მე–2 ეროვნული შეტყობინება კლიმატის ჩარჩო კონვენციისათვის, 2009) 21–ე ს–ის დასასრულისათვის კახეთის სამხრეთ ნაწილში მოსალოდნელია ჰიდროთერმული კოეფიციენტის მნიშვნელობის 1,1–დან 0,7–მდე შემცირება. რაც რეგიონის კლიმატს მშრალი სუბტროპიკებიდან ძლიერ არიდულ კატეგორიაში გადაიყვანს. გავლენა მეტნაკლებად გავრცელდება კახეთის მთელ ტერიტორიაზე. კლიმატის მიმდინარე ცვლილების ფონზე აღნიშნული პროცესის შერბილებისა და შეგუების ერთ–ერთი ყველაზე რეალური ქმედითი ღონისძიებაა მართვად წყალმოხმარებაზე გადასვლა წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების მიზნით.		

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	სათაური ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნ.ლომიძე ნ.სუქნიძე ზ.გულაშვილი	საქართველოში თოვლის საფარის დინამიკა კლიმატის თანამედროვე ცვლილების ფონზე	მე-4 საერთაშორისო კონფერენცია კლიმატის ცვლილების ადაპტაცია 22-23 ნეომბერი, კოლომბო (შრილანკა)
2	ნ.ბოლაშვილი	სოფლის მეურნეობაში წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება	ამსტერდამი, თებერვალი, 2015
3	ნ.ბოლაშვილი	წყლის რესურსების მართვის პრობლემები კლიმატის ცვლილების ფონზე	სტამბული, აპრილი, 2015
მოხსენებათა ანოტაციები			

1	თოვლიანობის მიხედვით საქართველოს ტერიტორიაზე გამოიყო ოთხი რაიონი: განსაკუთრებით უხვთოვლიანი, უხვთოვლიანი,საშუალოთოვლიანი და მცირეთოვლიანი რაიონები. ამ ოთხ რაიონში თოვლის საფარის ძირითადი მახასიათებლების დროში ცვლილების გამოსავლენად შედგენილ იქნა ადგილის აბსოლუტურ სიმაღლესთან მყარი ნალექების რაოდენობის, თოვლის საფარის მაქსიმალური,საშუალო და მინიმალური სიმაღლეების დამოკიდებულების განტოლებები. შედგენილია თოვლის საფარის განაწილების შესაბამისი რუკები. გამოთვლილია მყარი ნალექების მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური მნიშვნელობები საქართველოს ტერიტორიაზე. მოყვანილ განტოლებებში კორელაციის კოეფიციენტები მეტია 0,85-ზე, ხოლო ცდომილება არ აღემატება 10% -ს. განტოლებები შედგენილია ზღვის დონიდან 1899-1900 მ-მდე (განსაკუთრებით უხვთოვლიანი და უხვთოვლიანი რაიონები) და 2300-2400 მ-მდე (საშუალოთოვლიანი და მცირეთოვლიანი რაიონები) მდებარე მეტეოროლოგიური სადგურების მონაცემების საფუძველზე. ზემოთ წარმოდგენილი განტოლებები განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს ამჟამად, რადგან ბოლო წლებში საშუალომთიან და განსაკუთრებით მაღალმთიან ზონებში მდებარემეტეოროლოგიური სადგურების უმეტესობა დახურულია. ასევე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს თოვლის საფარის სიმაღლის მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური სიმაღლის განსაზღვრას, რომელთა გამოთვლა შესაძლებელია აღნიშნული ფორმულების დახმარებით.
2	საკვლევ რეგიონად შეირჩა კახეთი. იგი მდიდარია ნაყოფიერი მიწებით და საძოვრებით. არის ქვეყნის მევენახეობისა და მემარცვლეობის წამყვანი რეგიონი. კახეთი გამოირჩევა საქართველოში წყლის რესურსების დეფიციტით, კახეთის წყლის რესურსები მართვის თვალსაზრისით წარმოადგენს მნიშვნელოვან და საინტერესო ობიექტს, სადაც ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების ფასი უაღრესად მაღალია. მდგრადი განვითარებისათვის აუცილებელია მართვად წყალმოხმარებაზე გადასვლა და წყლის დეფიციტის ან სიჭარბის შეფასება მის მოთხოვნილებასთან მიმართებაში. კახეთის წყლის რესურსების გსს შეიქმნა საქართველოს 1:200000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკის
3	საქართველოს ტერიტორიის გარკვეული ნაწილი არიდულ და სემიარიდულ ზონაშია მოქცეული. გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა პირველი ეროვნული პროგრამის მიხედვით საქართველოში გაუდაბნოებისადმი მოწყვლად რეგიონებად კახეთი და ქვემო ქართლი განისაზღვრა. კლიმატის ცვლილებისა და ანთროპოგენური ზემოქმედების მიმართ მოწყვლადი ტერიტორიები კიდევ უფრო მეტია. შესაბამისად, აქტუალურია ასეთი ტერიტორიების წარმოჩენა და საადაპტაციო ღონისძიებების შემუშავება. კლიმატის მიმდინარე ცვლილებების ფონზე გაუდაბნოების პროცესთან შეგუების ერთ-ერთი ყველაზე რეალური ქმედითი ღონისძიება და პრიორიტეტი სარწყავი სისტემების რეაბილიტაციაა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ქვეყნის წყლის რესურსების რაოდენობა. მიუხედავად წყლის რესურსების სიმდიდრისა, ქვეყნის რიგ რეგიონებში მათ რაოდენობასა და წყალმოხმარებას შორის მნიშვნელოვანი დისბალანსია. აღმოსავლეთ საქართველოში, რომელიც ძირითადი წყალმომხმარებელია (მორწყვა), ტერიტორიისა და მოსახლეობის წყალუზრუნველყოფა ოთხჯერ ნაკლებია, ვიდრე ქვეყნის დასავლეთ ნაწილში.კლიმატის თანამედროვე ცვლილება, რომელიც გლობალურ დათბობაში გამოიხატება, ნეგატიური ანთროპოგენური ფაქტორების (სარწყავი სისტემების მოშლა, აგროტექნიკის დონის მკვეთრი დაცემა, ტყეებისა და ქარსაცავი ზოლების გაჩეხვა და სხვ.) ზრდასთან ერთად ხელს შეუწყობს აღმოსავლეთ საქართველოს არიდული ტერიტორიების გაუდაბნოების პროცესს და, ცხადია, თავის მხრივ კიდევ უფრო გაამწვავებს მტკნარი წყლის პრობლემას.

❖ ფიზიკური გეოგრაფიის განყოფილება

სამეცნიერო ერთეულის დასახელება: ფიზიკური გეოგრაფიის ლაბორატორია
სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: გეოგრ. მეცნიერებათა დოქტორი **კობა ხარაძე**

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

1. რევაზ ხაზარაძე
2. ელენე სალუქვაძე
3. თამილა ჩალაძე
4. თამარ ხარძიანი
5. ზაალ გულაშვილი
6. ვალერი კეკენაძე
7. ქეთევან გოგიძე

I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის

დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	აჭარის ისტორიული გეოგრაფია	კ.ხარაძე	კ.ხარაძე ვ.კეკენაძე
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
1	წინამდებარე მეხუთე ნაკვეთი აჭარა, წარმოადგენს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ გამოკვლევას, რაც მოიცავს დღევანდელ აჭარის ფარგლებს. ქვეთემა წარმოადგენს ორწლიან სამუშაოს, რომელიც დასრულდა 2015 წელს მონოგრაფიული გამოკვლევით. ნაშრომში განხილულია რეგიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული და ისტორიული საზღვრები, ბუნებრივი პირობების თავისებურებანი, ადმინისტრაციული ერთეულებისა და მოსახლეობის ცვალებადობა; განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია გეოგრაფიული სახელწოდებების კვლევის ასპექტებზე _ ლოკალიზაციასა და ეტიმოლოგიაზე; შედგენილია მოსახლეობისა და დასხლებული პუნქტების რეტროსპექტული რუკები, ტოპონიმთა განლაგების რუკები. კვლევის შედეგად გამოვლინდა და დამუშავდა ისტორიული წყაროები და ლიტერატურა, რომელიც ეხება საკითხს. ამასთან, ადგილზე ჩატარდა საველე სამუშაოები, შეძლებისდაგვარად, მოხილულ იქნა როგორც მოქმედი დასახლებული პუნქტები, ისე ნასოფლარები, ციხესიმაგრეები, ძველი ნაგებობები, ძველი ხიდები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ტოპონიმების ადგილზე აღნუსხვას და შედარებას ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულ გეოგრაფიულ სახელწოდებებთან. ამან, ძველი, დაკარგული გეოგრაფიული სახელწოდებების ლოკალიზაციის საშუალება მოგვცა. საველე პირობებში ყურადღება მიექცა ადგილზე ისტორიული საზღვრების დაზუსტებას, ძველი გზების მიმართულებების, ხიდების და ფონების არსებობას. დამუშავდა მოსახლეობის ძველი აღწერის მასალები, რის მიხედვითაც შედგა სხვადასხვა პერიოდის მოსახლეობისა და დასახლებული პუნქტების რეტროსპექტული რუკები. მოპოვებული მასალების ანალიზის საფუძველზე დადგინდება ბევრი ბუნდოვანი საკითხი და საბოლოოდ გაფორმდა მონოგრაფია “აჭარის ისტორიული გეოგრაფია”.ნაშრომში განხილულ-განზოგადოებულია მდიდარი და ფრიად საინტერესო სამეცნიერო ინფორმაცია, რაც მთავარია, ადგილზე ჩატარებული საველე სამუშაოების შედეგად მოპოვებული მასალა შეჯერებულია ისტორიულ და გეოგრაფიულ წყაროებთან; ისტორიულ-გეოგრაფიულად აღწერილია ხეობები, მდინარეთა აუზები, დასახლებული პუნქტები, მატერიალური კულტურის ძეგლები, მოსახლეობის ისტორიული ვითარება, გზე-	

	ბი და მიმოსვლის საშუალებები.მთლიანად აღიწერა ტოპონიმია, მოხდა მათი ლოკალიზაცია და რეტროსპექტული კარტოგრფირება. ამასთან, ტოპონიმები შესწავლილ და დახასიათებულ იქნა ისტორიულ-გეოგრაფიული ასპექტებით, მათი როგორც ლექსიკის ერთეულის, სანდო ენობრივი კვალიფიკაცია; აჭარის ტოპონიმების შესწავლა კომპლექსურად, უაღრესად სადღეისო, აქტუალური საკითხია. თითოელი ერთეულის განსაზღვრისას ნაცნობ ტოპონიმებთან ერთად მოხმობილი და შეფასებულია ცალკეულ ავტორთა დაკვირვებანი უცნობ ტოპონიმებზე. ზოგ მათგანზე გამოთქმულია არგუმენტირებული შენიშვნები. მოხდა ტოპონიმთა დაჯგუფება, კლასიფიკაცია; დასაბუთებულადაა გამოყოფილი: უძველესი, სტრუქტურაშეცვლილი, ხელმეორედ აღდგენილი, გადაადგილებული, თანამედროვე გახმოვანების, ნასოფლართა და სხვა ფონდები. შედგა ტოპონიმთა განლაგებისა და თემატური რუკები. სხვადასხვა წლების მოსახლეობის აღწერისა და სხვა მონაცემების საფუძველზე შედგა მოსახლეობისა და დასახლებულ პუნქტთა სიმჭიდროვის რუკები, რაც მოსახლეობის ცვალებადობის დინამიკას გვიჩვენებს. ამის მიხედვით გაკეთდა რიგი დასკვნები.

I. **2.**

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	საქართველოს გეოგრაფიული გარემოს ტრანსფორმაცია, ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის შეფასება და გეოინფორმაციული ბაზის შექმნა (იმერეთის რეგიონის მაგალითზე)	ე. სალუქვაძე	ე. სალუქვაძე თ.ჩალაძე თ. ხარძიანი ზ. გულაშვილი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები

თემა 4 წლიანია, იმერეთის რეგიონის მაგალითზე შესრულდა მისი პირველი ეტაპი. კვლევა განხორციელდა აღნიშნული რეგიონის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. საველე-კვლევითი ექსპედიცია ჩატარდა წყალტუბოს, ხონის და ტყიბულის (ნაწილობრივ) მუნიციპალიტეტებში, კავკასიონის დაბალმთიანი ზოლის და კოლხეთის დაბლობის მიმდებარე მთისწინების გორაკ-ბორცვიანი კარსტული ზოლის (ხონის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტების) კარსტული და ეროზიული რელიეფით წარმოდგენილი ტერიტორიის ლანდშაფტების კომპლექსური (სინთეზური) ანალიზისთვის. კვლევის მიზანს წარმოადგენდა აღნიშნული რეგიონების გარემოს ტრანსფორმაციის დადგენა, რისთვისაც ლანდშაფტის სახის დონეზე თითოეულ ეტალონურ უბანში GIS მეშვეობით განისაზღვრა ლნდშაფტის ანთროპოგენური ტრანსფორმაციის ხარისხი და გამოყოფილ იქნა მათი კატეგორიები (უმნიშვნელოდ ტრანსფორმირებული, მცირედ ტრანსფორმირებული, საშუალოდ ტრანსფორმირებული, მნიშვნელოვნად ტრანსფორმირებული და ძლიერ ტრანსფორმირებული), წარმოჩინდა ის ხელსაყრელი ბუნებრივი ფაქტორები რომლებიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ აღნიშნული მუნიციპალიტეტების ბუნებრივ-რესურსულ პოტენციალს (სელიტებური, სასოფლო-სამეურნეო, რეკრეაციული, ეკოლოგიური და სხვ.). საკვლევი რეგიონის ფარგლებში, როგორც ბარის (სოფ. ბანოჯას მიდამოები) ასევე მთის ზონაში (სოფ. ნამოხვანი) აღებულ იქნა ნიადაგის ნიმუშები, რომელთა ანალიზი განხორციელდა შპს „მულტიტესტში“, შედეგები კი აისახა შესაბამისი ეტაპისთვის მომზადებულ ანგარიშის ტექსტში.

საკვლევი რეგიონის ლანდშაფტების თანამედრივე მდგომარეობის შესახებ მონაცემები აისახა მონოგრაფიაში: „საქართველოს ლანდშაფტების ტრანსფორმაცია და მათი ეკოლოგოგიური მდგომარეობა (ზოგადი დახასიათება და ანალიზი), გერმანია, საარბრიუკენი, „ლამბერტ აკადემიკ პუბლიშინგ“-ი, 181 გვ., ერთ-ერთ თავში (#3) – „ცალკეული რეგიონების ლანდშაფტების ტრანსფორმაციის თავისებურებანი“.

შედგენილ იქნა წყალტუბოს და ხონის მუნიციპალიტეტების მსხვილმასშტაბიანი (1: 100 000)

	ლანდშაფტური და ლანდშაფტური პოტენციალის რუკები.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	კ. ხარაძე	დიდი მამულიშვილის ღირსეული ღვაწლი აკადემიკოსი ალექსანდრე ჯავახიშვილი	გამომცემლობა ,,თსუ“, თბილისი	394 გვ.
2	კ. ხარაძე	ხევის ბუნებისა და ხუროთმოძღვრების ძეგლები ტურისტულ-საექსკურსიო მეგზური	გამომცემლობა ,,სვეტი“ თბილისი	84 გვ.
3	კ. ხარაძე	აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი ძევერა (გორის მუნიციპალიტეტი) მეგზური (ქართულ და ინგლისურ ენებზე)	გამომცემლობა ,,სვეტი“ თბილისი	70 გვ.
4	ს. ვარდოსანიძე, ვ. გურული, კ. ხარაძე ლ. ჯიქია მ.კვარაცხელია	საქართველოს სახელმწიფო საზღვრები (1917-1957) ნარკვევი. დოკუმენტები და მასალები	გამომცემლობა ,,ქართული უნივერსიტეტი“, თბილისი	308 გვ.
5	ვ.კეკენაძე თ. კაციტაძე	ანტისამთავრობო აჯან ყება საჩხერეში (1918 წლის ივნისი–აგვისტო)	გამომცემლობა ,,სვეტი“, თბილისი	93 გვ.

ანოტაციები

1	წიგნი ეძღვნება საქვეყნოდ აღიარებულ ქართველ მეცნიერს, მეცნიერების დიდ ორგანიზატორსა და საზოგადო მოღვაწეს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, მრავალი მედლისა და ორდენის მფლობელს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ღირსეულად განვლილ გზას. ნაშრომში მოცემულია მეცნიერისა და მეცნიერ-ორგანიზატორის მოღვაწეობის მეტად საინტერესო მომენტები, აგრეთვე, კოლეგების, აღზრდილების და სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა შეფასებები, მოგონებები ალექსანდრე ჯავახიშვილის მრავალმხრივ მოღვაწეობაზე, მისი ურთიერთობა ადამიანებთან, მისი როგორც პიროვნებისა და მოქალაქის მრწამსის შესახებ. წიგნი განკუთვნილია გეოგრაფიის ისტორიით და, რაღა თქმა უნდა, ამ დიდებული მეცნიერისა და მეცნიერების ორგანიზატორის მრავალმხრივი შემოქმედებით დაინტერესებულ პირთათვის. მკითხველი ბევრ ახალ დეტალს შეიტყობს ამ დაუღალავი პიროვნების ცხოვრებისა და მოღვაწეობის მეტად ნაყოფიერად განვლილი გზის შესახებ.
2	წიგნში მოცემულია ხევის (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი) განლაგებული ბუნებისა და ხუროთმოძღვრების ძეგლების ადგილმდებარეობა, აღწერა და მოკლე ისტორიული მიმოხილვა. ლიტერატურული მონაცემებისა და ადგილზე შესწავლით შეიქმნა ეს ნაშრომი; თითქმის ყველა ფოტოსურათი ავტორმა ექსპედიციების დროს გადაიღო. მასალა შერჩეული და დალაგებულია ისე, რომ ხევში მიმავალმა მოგზაურმა თავისუფლად შეძლოს მოცემულ ძეგლთან მისვლა. ნაშრომს თან ახლავს ხევის -

	რუკა. წიგნი დახმარებას გაუწევს ყველა მათ, ვინც დაინტერესებულია საქართველოს ცალკეული მხარეების საექსკურსიო-ტურისტული თვალსაზრისით დათვალიერებაში და, ამ შემთხვევაში, ხევის ბუნებისა და ხუროთმოძღვრული ძეგლების შესწავლა-გაცნობისათვის.
3	ნაშრომში მოკლედ არის გადმოცემული აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის წვლილი სამეცნიერო, პედაგოგიური და სამეცნიერო-პედაგოგიური დაწესებულების ორგანიზებასა და ჩამოყალიბებაში. მისი დამსახურება სამეცნიერო და პედაგოგიური დაწესებულებების გეოგრაფიული უჯრედების ხელმძღვანელობაში.. მისიდიდი დამსახურების გამო არაერთი ჯილდო დაიმსახურა, ხოლო მადლიერმა ქართველმა ხალხმა მშობლიურ სოფელ ძევერაში (გორის მუნიციპ-ი) 1986 წლის 14 ივნისს საზეიმოდ გახსნა ალექსანდრე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი. ეს მგზურიც მოკლედ მოგითხრობთ სოფელ ძევერასა და აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმზე.
4	ნაშრომი ეძღვნება საქართველოს საზღვრების დადგენის ისტორიას 1917-1957 წლებში. გამოკვლევას თან ახლავს დოკუმენტები და მასალები საზღვრების დადგენის პროცესის უკეთ აღქმის მიზნით წიგნს თან ერვის რუკები. განკუთვნილია სპეციალისტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.
5	ნაშრომში მოცემულია 1918 წლის საჩხერის აჯანყება, რომელიც გარე ძალების შედეგად იყო გამოწვეული. რუსეთის სოციალისტური (ბოლშევიკური) ხელისუფლება საქართველოში არეულობათა მოსაწყობად სპეციალურად გზავნიდა გადამზადებულ პირებს. რუსეთის აგენტურამ, ცრუ აგიტაციის საშუალებით, შეძლო საჩხერის მოსახლეობის ნაწილის მიმხრობა და აჯანყებაში ჩაბმა. საჩხერის აჯანყება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ზუსტად ერთ თვეში იწყება. აჯანყების მასშტაბურობის გამო, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იძულებული გახდა, საჩხერეში რეგულარული ჯარის ნაწილები შეეყვანა. ჯარი თითქმის სამი თვის განმავლობაში ებრძოდა მეამბოხეებს.მონოგრაფიაში მოცემულია აჯანყების მიმდინარეობა, ხოლო მოვლენები განხილულია დეტალურად.წიგნი განკუთვნილია, როგორც უახლესი ისტორიით დაინტერესებულ მკვლევართათვის, აგრეთვე მკითხველთა ფართო სპექტრისათვის.

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნ. ელიზბარაშვილი გ. მელაძე ე. სალუქვაძე დ. სვანაძე ი. ლაზარაშვილი	თბილისის გეოეკოლოგიური პრობლემები და ლანდშაფტური დაგეგმარების ძირითადი პრინციპები	„გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები“ საერთაშორისო კონფ. მასალები	თბილისი, თსუ გამომცემლობა	გვ. 101-108
2	რ.ხაზარაძე	პალეოკლიმატისა და გეოგრფიული გარემოს ცვალებადობა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გვიან პლეისტოცენში	„გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები“ საერთაშორისო კონფ. მასალები	თბილისი, თსუ გამომცემლობა	გვ. 85-90
3	კ.ხარაძე	ალექსანდრე ჯავახიშვილი საქართველოს კარტოგრაფიისა და გეოგრაფიის ისტორიის მკვლევარი	„გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები“ საერთაშორისო კონფ. მასალები	თბილისი, თსუ გამომცემლობა	გვ. 20-24
4	კ.ხარაძე	აჭარის ისტორიული	„გეოგრაფიისა და	თბილისი, თსუ	გვ. 384-389

		გზები და მიმოსვლის საშუალებები	ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები“ საერთაშორისო კონფ. მასალები	გამომცემლობა	
5	კ.ხარაძე	შიდა ქართლის ტოპონიმის წარმოშობა და განვითერაბა	კრებული ,,ოსები საქართველოში“ (რუსულ ენაზე)	თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი	გვ. 261-288
6	ვ. კეკენაძე	XV-XIX საუკუნეების იმერეთის სათავადოების საზღვრების კარტოგრაფირება	„გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები“ საერთაშორისო კონფ. მასალები	თბილისი, თსუ გამომცემლობა	გვ. 422-427
7	ვ. კეკენაძე	მეტსახელები ქალაქ საჩხერეში	ქართველური ონომასტიკა კრებული 7	თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი	გვ. 162-170
8	კ.ხარაძე	ბუნებრივი პირობების ამსახველი პალეოგეოგრაფიული ტოპონიმები აჭარაში	ქართველური ონომასტიკა კრებული 7	თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი	გვ. 401-413
9	კ.ხარაძე	რისთვის ან ვისთვის აშენდა ცხინვალ-ალაგირის საავტომობილო მაგისტრალი	კრებული ,,ოსები საქართველოში“ (რუსულ ენაზე)	თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი	გვ. 289-301

ანოტაციები

1	ნაშრომში საუბარია ლნდშაფტური დაგეგმარების ევროპულ გამოცდილებაზე, კერძოდ, მასზედ, რომ ლანდშაფტური დაგეგმარება ევროპის უმეტეს ქვეყნებში მიჩნეულია მდგრადი განვითარების ეფექტურ ინსტრუმენტად და რომ, ლანდშაფტური დაგეგმარების ევროპულმა გამოცდილებამ ხელი უნდა შეუწყოს ევროპულ სივრცეში ტერიტორიული დაგეგმარების ერთიანი სისტემის განვითარებას და საბოლოო ჯამში, ევროპის ქვეყნების ინტეგრაციას. ლანდშაფტური დაგეგმარების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობა და ადმინისტრაციული ორგანიზაციები იღებენ მრავალმხრივ ინფორმაციას ლანდშაფტთა თანამედროვე მდგომარეობის (სტრუქტურის) და ბუნებრივი პროცესების თავისებურებათა შესახებ, ბუნებათსარგებლობის პრობლემებზე და მათი დაძლევის გზებზე. საუბარია თბილისის ლანდშაფტური დაგეგმარების პრინციპებზე: აქტუალურობის, უნიკლურობის, ეკოლოგიური დაძაბულობის, გეოეკოლოგიურ კონფლიქტებზე (ატმოსფეული ჰაერის, შიგა წყლების გაჭუჭყიანების, ნიადაგების ეკოლოგიური მდგომარეობის, ცოცხალი სამყაროს და მასთან დაკავშირებულ კონფლიქტებზე. მოცემულია თბილის-რუსთავის საქალაქო აგლომერაციის ტერიტორიის მდგრადობის რუკა, რომელზეც წარმოჩენილია მდგრადი, საშუალოდ მდგრადი და არამდგრადი უბნები.
2	ნაშრომში კომპლექსური კვლევების საფუძველზე დადგენილია კლიმატის ცვალებადობა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გვიან პლეისტოცენში. მღვიმეების: წონა, კუდარო I-ის და დმანისის ღია სადგომის ნაფენების ლითოლოგიური, პალეონტოლოგიური, გეომორფოლოგიური და პალინოლოგიური შესწავლის შედეგად გამოვლენილია სეზონური კლიმატური შრეების მორიგეობა, სადაც შეინიშნება ურთიერთკავშირი პირველყოფილი ადამიანების კულტურისა და გარემო პირობები ცვალებადობა მათი განვითარების ადრეულ ეტაპებზე. ბოტანიკური და პალინოლოგიური შესწავლის საფუძველზე დადგენილია მცენარეული ზონების ვერტიკალური გადაადგილების სიმაღლეები გამყინვრებისა და გამყინვარებათშორისულ პერიოდებში. მთის მცენარეული ზონები გამყინვარების ეპოქაში, კლიმატის ვარდნასთან დაკავშირებით ქვემოთ იწევდა 500-700 მეტრით თანამედროვესთან შედარებით.

	გამყინვარებათშორისულ ეპოქაში, დთბობასთან დაკავშირებით კი ზემოთ გადაადგილდებოდა 300-500 მეტრით.
3	სტატიაში მოცემულია ალექსანდრე ჯავახიშვილის წვლილი საქართველოსა და კავკასიის კარტოგრაფიულ განვითარებაში XX საუკუნის 20-ანი წლებიდან. ნაჩვენებია ის კარტოგრაფიული პროდუქცია, რომელიც მისი რედაქტორობით და ხელმძღვანელობით შეიქმნა. მეცნიერს დიდი წვლილი მიუძღვის აგრეთვე გეოგრაფიის განვითარების ისტორიის კვლევაში, სადაც ცენტრალური ადგილი დიდ ვახუშტი ბაგრატიონს ეკუთვნის. ნაჩვენებია ის დამსახურება, რაც მას გეოგრაფიული და კარტოგრაფიული მეცნიერების განვითარებაში მიუძღვის.
4	აჭარაში უძველესი პერიოდიდან გადიოდა ქვეყნის მნიშვნელოვანი სავაჭრო და სატრანსპორტო გზები, რაც დადებითად, ზოგ შემთხვევაში უარყოფითად მოქმედებდა მხარის განვითარებაზე; აჭარა თავისი რთული რელიეფისა და, საერთოდ, ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნებისა გამო, გზებიც მეტად გაუვალი იყო. ამის შესახებ მოგვითხრობს მემატიანეც ჯერ კიდევ XIV საუკუნეში. ძველად აჭარაში საცალფეხო გზები ფუნქციონირებდა, სადაც მხოლოდ ადამიანი მოძრაობდა; ასევე იყო ცხენის გზაც, სადაც ცხენიც მოძრაობდა, სამარხილე და საურმე გზები; ეს უკანასკნელი დიდ გზებთან აკავშირებდა. ამ მხრივ, აჭარაში საკმაოდაა შემორჩენილი ძველი გზების ნაშთები, რომლებიც მხარის ინტენსიურ ათვისებაზე მიგვითითებს. დღესაც შემორჩენილია მდინარეებზე ორ ათეულამდე გადებული ქვის თაღოვანი ხიდები და მათი ნარჩენები, რომლებიც ამ მხარის გზების მშენებლობასა და მათ მნიშვნელობაზე მეტყველებს.
5	კოლექტიურ მონოგრაფიაში მოცემულია ოსი მოსახლეობის მიგრაციული პროცესების ქრონოლოგიური ზღვრები და სივრცითი განალაგება, შიდა ქართლის ტერიტორიაზე საფორტიფიკაციო და ხუროთმოძღვრული ძეგლების განლაგება და კუთვნილება, გეოგრაფიული სახელწოდებების რაობა და წარმოშობა. აგრეთვე ეპიგრაფიკა, არქეოლოგიური მონაცემები და სხვა ისტორიული და გეოგრაფიული საკითხები.
6	საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიაში, გვიან ფეოდალური ხანის კვლევის სფეროში, ერთ–ერთ პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს ქართულ სათავადოებს შორის საზღვრების დადგენა და მათი კარტოგრაფიული გამოსახვა. კარტოგრაფიული გამოსახულებები ხელს შეუწყობს აღნიშნული თემის ვიზუალურ აღქმასა და თეორიულ გააზრებას. მოცემულ სტატიაში მოცემულია ეთნოგრაფიული იმერეთის სათავადოების საზღვრები XV-XIX საუკუნეებში. ჩვენ მიზნათ დავისახეთ მოგვეხდინა ფიქსაცია იმ ნაშრომებისა და კარტოგრაფიული მასალებისა, რომელიც ეხება იმერეთის სათავადოებს და შესაბამისი ანალიზის შემდგომ შევეცადეთ შეგვედგინა ნაშრომი რეტროსპექტულ კარტოგრაფიაში, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს იმერეთის სათავადოების ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს. გამომდინარე იქედან, რომ იმერეთის სათავადო სისტემა ფაქტობრივად დასრულებულ სახეს იღებს XVIII საუკუნეში, რაც დასავლეთ საქართველოს ისტორიულ საბუთებში ნათლად ჩანს, გადავწყვიტეთ კარტოგრაფიულ ნაშრომში წარმოვადგინოთ სწორედ ამ პერიოდის იმერეთის სამეფოს სათავადოებს შორის არსებული საზღვრები. ნაშრომის მოთავსება აღნიშნულ ქრონოლოგიურ ჩარჩოში ასევე გადაგვაწყვეტია მასალათა სიუხვემაც, მაგალითად, ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოისა“, აგრეთვე უდიდესი დახმარება გაგვიწია ოლღა სოსელიას ნაშრომებმა (ნარკვევები), რომელშიაც ფაქტობრივად ვხვდებით პირველ და ჯერჯერობით ერთადერთ მცდელობას ვახუშტის შემდგომ იმერეთის სათავადოებს შორის საზღვრების დადგენის თაობაზე; თუმცა, სამწუხაროდ, ნაშრომებს არ ახლავთ შესაბამისი კარტოგრაფიული გამოსახულებები, რაც განაპირობებს ვიზუალური აღქმის ნაკლოვანებას. რეტროსპექტული კარტოგრაფირების და შესაბამისი კვლევის შედეგად აღნიშნული საკითხის თაობაზე შედგა რუკა, რაც წარმოადგენს სამეცნიერო სიახლეს.
7	საკუთარ სახელთა სისტემას ხშირ შემთხვევაში თან სდევს ამა თუ იმ პიროვნების მეტსახელი, რომლითაც მას მიმართავენ და იცნობენ ახლო გარემოცვაში. ხშირ შემთხვევაში მეტსახელი იმდენად ესადაგება პიროვნების ხასიათს, ბუნებას რომ გარემოცვა ადამიანს სწორედ ამ სახელით მოიხსენიებს, იცნობს, ზოგჯერ შეიძლება ვერც კი გაიხსენონ მისი ნამდვილი სახელის ხსენებისას. არის შემთხვევები როცა რაიმე მეტსახელი ოჯახის წევრებზე, გვარში და ა.შ. მემკვიდრეობით გადადის და მას ოჯახის ყველა თაობა ატარებს. აქვე უნდა აღინიშნოს ის სპეციფიკური მომენტი რომ ზედმეტი სახელი ძირითადად მამაკაცებში გვხვდება და მას მდედრობით სქესში იშვიათად აქვს ადგილი. მეტსახელის დარქმევას როგორც წესი განაპირობებს პიროვნების გარეგნობა, პროფესია,

	უნარ–ჩვევები, ან სულაც ის უბრალო შემთხვევის გამო ჰქვიათ. ზედმეტსახელები ამა თუ იმ მხარეში, უმეტესად, მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რასაც განაპირობებს ამ სოფლის, ქალაქის სპეციფიკა, განსხვავება ადგილმდებარეობაში, მეურნეობის წესში, ცნობიერებაში. ერთმანეთისაგან მკვეთრ განსხვავებას ვხვდებით აგრეთვე ქალაქისა და სოფლების მეტსახელებში, ძველ და ახალ თაობაში და ა.შ. უმეტესად მეტსახელი თავად გვეუბნება თუ რატომ ჰქვია ის ამა თუ იმ პიროვნებას, მაგალითად ავიღოთ ცხვირა, ის პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ინდივიდს ეს სახელი დაერქვა მისი გარეგნობიდან გამომდინარე, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს რომ ცალკეულ შემთხვევებში საქმე არც ისე მარტივადაა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ არსებობენ მემკვიდრეობითი ზედმეტი სახელებიც, რაც ხშირ გაურკვევლობას იწვევს ცალკეულ შემთხვევებში, როცა პიროვნებას ესმის ზედმეტი სახელი ის ამ სახელის მატარებელში ეძებს იმ თვისებას რაც დევს მეტსახელში და შესაძლოა მისი ეს თვისება არ ჩანდეს ზედმეტ სახელში, აღნიშნული გარემოება აბნევს ადამიანს. მაგალითად, მოვიყვანოთ მეტსახელი ბუღია, ბუღია თითქოს პირდაპირ გვეუბნება რომ სახელის მატარებელი დიდი აღნაგობის, ძლიერი მამაკაცი უნდა იყოს, შეიძლება ის სინამდვილეში მემკვიდრეობით სახელს წარმოადგენდეს და ამ სახელი თვისებები სულაც არ ჩანდეს ამ ადამიანში. სტატიაში მოცემულია ზედმეტ სახელების სისტემა და მისი მახასიათებლები ქალაქ საჩხერის მაგალითზე. საჩხერეში გავრცელებული მეტსახელები გამოირჩევიან თავისი მრავალფეროვნებით, რაც განპირობებულია იმით რომ აქ ახლო წარსულში წარმოდგენილი იყო რამდენიმე ეთნიკური ჯგუფი; უმეტესად ქართველები, ებრაელები, სომხები, მცირე რაოდენობით ოსები და რუსები. ეთნიკური მრავალფეროვნება აირეკლა მეტსახელებშიდაც, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობის მეტსახელები მეტწილად ქართული რეალობიდანაა ნაკარნახევი და ატარებს კიდეც ქართულ სახეს. დღეისათვის ამ მეტსახელთა უმეტესობა ქალაქ საჩხერეში აღარ გვხვდება, მოცემული მეტსახელთა ნაწილი განეკუთვნება XX საუკუნის 40–იან 80–იან წლებს, მათი გაქრობა გამოიწვია იმ ფაქტმაც რომ, ქალაქი საჩხერე დატოვა ებრაელთა ეთნიკურმა მასივმა, მხარეში ძალზედ ცოტა დარჩა ეთნიკურად სომეხი, ოსი და რუსი მოსახლეობაც.
8	სტატიაში განხილულია აჭარის პალეოგეოგრაფიული ტოპონიმების განლაგებისა და წარმოშობ თავისებურებანი. შეჯერებულია თვით სახელწოდება აჭარის სხადასხვა ავტორთა ეტიმოლოგიუ ახსნები და დასაბუთებულია ჩვენეული წარმოდგენილი ვარიანტი გეოგრაფიული სახელწოდებებ ძირითადი ნაწილი ბუნებრივი პირობების მიხედვით არის შერქმეული. თუმცა წლების განმავლობა ეს პირობები გარკვეული მიზეზების გამო შეიცვალა, გარდაიქმნა, ხოლო გეოგრაფიულ სახელწოდებები უმეტესად უცვლელი დარჩა. ამასთან, ზოგი სახელწოდება ამ გარდაქმნისა შეცვლის შედეგად წარმოიშვა. ტოპონიმები ხშირად წარმოიშობა ობიექტის დამახასიათებელი ნიშ ბის საფუძველზე; ასეა შერქმეული უძველესი პერიოდიდან უმეტესი სახელი, რამდენადაც თვ ადამიანი მჭიდროდ არის დაკავშირებული გარემოსთან. ასე მაგალიტად, “გორი” _ მიუთითებს გორ კის არსებობაზე, “წაბლოვანი” _ მცენარე წაბლის გავრცელებაზე, “რიყე” _ მდინარის ჭალაზე და სხ თუმცა, გვხვდება ისეთი სახელებიც, რომელთა მნიშვნელობა ამჟამად აღარ შეესაბამება ობიექტისა ვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებას. ასე მივიღეთ ტოპონიმთა ერთობლიობა, რომელთაც რთული ხანგრძლივი გზა განვლო.
9	კოლექტიურ მონოგრაფიაში მოცემულია ოსი მოსახლეობის მიგრაციული პროცესების ქრონოლოგიური ზღვრები და სივრცითი განალაგება, შიდა ქართლის ტერიტორიაზე საფორტიფიკაციო და ხუროთმოძღვრული ძეგლების განლაგება და კუთვნილება, გეოგრაფიული სახელწოდებების რაობა და წარმოშობა. აგრეთვე ეპიგრაფიკა, არქეოლოგიური მონაცემები და სხვა ისტორიული და გეოგრაფიული საკითხები. მონოგრაფიაში დეტალურადაა განხილული ცხინვალ-ალაგირის საავტომობილო მაგისტრალის შექმნის მიზნები და მნიშვნელობა.

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1	ე.სალუქვაძე თ. ჩალაძე	საქართველოს ლანდშაფტების ტრანსფორმაცია და მათი ეკოლოგოგიური მდგომარეობა (ზოგადი დახასიათება და ანალიზი) (რუსულ ენაზე)	გერმანია, საარბრიუკენი „ლამბერტ აკადემიკ პუბლიშინგ“-ი	181 გვ.
ანოტაციები				
	წიგნში განხილულია საქართველოს ლანდშაფტების ტრანსფორმაციის საკითხები, განპირობებული ბუნებრივი და ანთროპოგენური ფაქტორებით. მოცემულია ამ ტრანსფორმაციის ანალიზი განსხვავებული ბუნებრივი პირობების მქონე სხვადასხვა რეგიონების (ქ. თბილისი, ლაგოდეხი, დედოფლისწყარო, წყალტუბო და სხვ.) მიხედვით. ჩატარებულია ხვადასხვა წლების აეროკოსმოსური სურათების და კოსმოსური სურათების დეშიფრირება ეტალონური უბნების მიხედვით, განსაზღვრულია ლანდშაფტების ანთროპოგენური ტრანსფორმციის ხარისხი და დინამიკა, ნაჩვენებია ამ ტრანსფორმაციის რაოდენობრივი პარამეტრები, ეკოლოგიური მდგომარეობის სურათი, კერძოდ, წარმოჩენილია ეკოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ჰაერის, წყლის, ნიადაგის გაჭუჭყიანება, სტიქიური პროცესების ინტენსივობა (ეროზია, ღვარცოფები, მეწყერები), საძოვრების გათქერილობა და სხვ. ნაშრომში წარმოდგენილია სხვადასხვა რეგიონების მსხვილმასშტაბიანი (1:50 000, 1: 100 00) რუკები, აღმოსავლეთ საქართველოს ლანდშაფტურ-ეკოლოგიური რუკა (ფრაგმენტი) შედგენილი GIS ტექნოლოგიებით, სხვადასხვა ლანდშაფტების, ეკოლოგიური ფოტოსურათები, ცხრილები, დიაგრამები.		

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	კ. ხარაძე დ. ნიკოლაიშვილი	Aleksandre Javakhishvili – the founder of Modern // Earte Sciences juli 21, 2015 (http.//www. sciencepublishing qraup. com /j/ earth)		აშშ	გვ. 288-292
ანოტაციები					
1	სტატიაში განხილულია დიდი გეოგრაფის ალექსანდრე ჯავახიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობა. ფართოდაა წარმოჩენილი მისი ღვაწლი ქართულ გეოგრაფიულ მეცნიერებაში.				

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ე.სალუქვაძე თ. ჩალაძე	კრიტიკული ეკორეგიონების ლანდშაფტები - პრობლემები და	22-25 ოქტომბერი, თბილისი

		თანამედროვე მდგომარეობა	საერთაშორისო კონფერ. „გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები“
2	კ.ხარაძე	ქვის სამტრედეები სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ ანატოლიაში	27-29 ივნისი, 2014 ზაქარია ჭიჭინაძის 160 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მასალები
1	მოხსენება შეეხებოდა აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ მისი სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ლანდშაფტების თანამედროვე მდგომარეობას, რომელიც მნიშვნელოვნად არის შეცვლილი ანთროპოგენური ზემოქმედების გამო და განსაკუთრებით მოწყვლადია კლიმატის ელემენტების ცვლილების მიმართ. ნიადგის ეროზია, ძლიერი ქარები და განსაკუთრებით გვალვები ითვლება საშიშ სტიქიურ მოვლენად დედოფლისწყაროს რეგიონში. ამ მოვლენების გაძლიერებაში უარყოფითი როლი შეასრულა ანთროპოგენურმა ფაქტორმა: ქარსაცავი ზოლების ინტენსიურმა გაჩეხვამ, ირიგაციული სისტემების თითქმის მთლიანად მოშლამ. ლანდშატები, რომლებიც იმყოფებიან ზომიერად მშრალი და მშრალი (ნალექების რაოდენობა 400-350 მმ) ჰავის პირობებში გაუდაბნოების რისკის ქვეშ იმყოფებიან. ასევე საუბარი იყო თუ როგორ შეიცვლებიან მომავალში, მრავალი წლის გამავლობაში დედოფლისწყაროს ლანდშაფტები, როგორ შეიძლება გარდაიქმნენ მეორად სუქცესიებად და ამდენად მნიშვნელოვანი გარდაქმნა განიცადონ ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისითაც, რასაც შემდგომში შეიძლება ზოგიერთი სახეობის გაქრობაც კი მოჰყვეს. არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის და აგრეთვე, გაუდაბნოების პროცესების დაჩქარებით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი `„ცხელ წერტილს” კრიტიკულ ეკორეგიონს წარმოადგენს.		
2	სამხრეთ კავკასიაში _ საქართველოში (ვარძია, ზედა ვარძია, წინარეხი), სომხეთში (ანისი), ცენტრალურ ანატოლიაში (გორემის ხეობა) და სხვ. შემორჩენილია თავისებური არქიტექტურული უჯრებიანი ნაგებობები, რომელთა განზომილებები 20X20X20 სმ-ია. უჯრები კუბური ფორმის შეღრმავებებია, რომლებიც განლაგებულია ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ მწკრივებად. მათი განსხვავება მდგომარეობს სამშენებლო ხერხში, რომლებიც გამოყენებულია უჯრების შექმნისას, აგრეთვე ზოგიერთ არქიტექტურულ დეტალში. ტრადიციულად ყველგან მათ თვლიან სამტრედეებად. XX საუკუნის 50-ანი წლებიდან ქართველ ფარმაკოლოგთა ერთი ნაწილი მათ სააფთიაქო ნაგებობად მიიჩნევს, რაც ჰიპოთეზის დონეზეა წარმოდგენილი. ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში “აფთიაქების ვერსიამ” საქართველოში მტკიცედ მოიკიდა ფეხი. მოხსენებაში დასაბუთებულია, რატომ არ შეიძლება იყოს ასეთი ნაგებობები “აფთიაქები” და რატომ არის ისინი სამტრედეები.		

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ე. სალუქვაძე, თ. ჩალაძე	სტიქიური და ანთროპოგენური ფაქტორების ზემოქმედება საქართველოს მთიანი რეგიონების ლანდშაფტებზე და მათი ეკოლოგიური მდგომარეობა (რუსულ ენაზე)	17-18 სექტემბერი, ქ. ბაქო „თანამედროვე გლობალური ცვლილების გეო და ბუნებრივი ეკონომიკური სისტემების ადაპტაციის პრობლემები“, მიძღვნილი აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის, აკად. ჰ. ალიევის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დაარსების 70 წლისთავისადმი

2	ზ.გულაშვილი	მდინარე რიონის (საქართველო) წყლის ხარისხის ცვალებადობა	მე-4 საერთაშორისო კონფერენცია „კლიმატის ცვლილების ადაპტაცია 2015“, 22-23 ნოემბერი, ქ. კოლომბო, შრი-ლანკა
მოხსენებათა ანოტაციები			
1	საქართველოს ლანდშაფტების თანამედროვე მდგომარეობა გვიჩვენებს, რომ ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების ცვლილების ხასიათი განპირობებულია, როგორც ბუნებრივი ასევე ანთროპოგენური ფაქტორებით, ადამიანის ზემოქმედების ხანგრძლივობის და ინტენსივობის შედეგები აისახება ლანდშაფტის სტრუქტურაზე, მის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე. ბუნებაზე არასწორი ტექნიკურ-სამეურნეო ზემოქმედებით (ტყის გაჩეხვა, წიაღისეულის მოპოვება, მშენებლობა და სხვ.) ხდება ზედაპირული ნაკადების, ხრამების წარმოქმნა, ნიადაგის ეროზია, ამასთანავე წარმოიქმნება ხელსაყრელი პირობები სტიქიური პროცესების გააქტიურებისთვის. ტყეების გაჩეხვის გამო ბევრგან ტყის ბუნებრივი საზღვარი ხელოვნურად არის დაწეული 400-500 მ-ით.		
2	თანამედროვე ცივილიზაციის არსებობისათვის აუცილებელია წყლის ობიექტების ინტენსიური გამოყენება რისთვისაც განუზომლად იზრდება ჰიდროლოგიურ ობიექტებზე ანთროპოგენური ზეგავლენის ფორმები და მასშტაბები. რიონი საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი სამდინარო არტერიაა, მის აუზი (13,4 ათ. კმ^2) მოიცავს დასავლეთ საქართველოს უდიდეს ნაწილს, აუზში განლაგებულია მრავალი წყალსაცავი. მდინარე რიონი ძალზე წყალუხვი მდინარეა (31,4 ლ/წმ/კმ^2) და მისი გამოყენება ხდება ენერგეტიკის, ირიგაციის, მოსახლეობის წყალმომარაგების საჭიროებისათვის, სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად აუცილებელი ტექნოლოგიური ციკლისათვის. მდინარე რიონის წყლის რესურსების ხარისხზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული დასავლეთ საქართველოს ეკოლოგიური მდგომარეობა. მდინარის წყლის ხარისხზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჭიათურის მანგანუმის საბადოდან მოპოვებული მადნის დამუშავება, აღნიშნული საბადო ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში და ათეული წლების მანძილზე მოიპოვება ასეულობით მილიონი ტონა მადანი, საწარმოო ჩამდინარე წყალი დიდი რაოდენობით შეიცავს მანგანუმის ნაერთებს და შეწონილ ნაწილაკებს, პრობლემას ართულებს ისიც რომ მდინარის წყალი გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოსარწყავად. ასევე აუზის ქვემო წელში მდებარეობს კოლხეთის ჭარბტენიანი ტერიტორია, ხოლო შესართავთან (შავი ზღვა) პალიასტომის ტბა, შესაბამისად გამჭუჭყიანებელი ნივთიერებების მიგრაცია მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის როგორც აღნიშნულ ეკოსისტემებს ის შავი ზღვის სანაპირო წყლებს. წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია მდინარე რიონის წყლის ხარისხობრივი ცვალებადობის გამომწვევი მიზეზები, მისი გავლენა მიმდებარე ეკოსისტემებზე, წყლის ხარისხის სხვადასხვა ელემენტებისათვის გაკეთებულია სტატისტიკური ანალიზი. ამ ანალიზის საფუძველზე მიღებულ იქნა დაკვირვებული რიგების სტატისტიკური პარამეტრების ამორჩევითი შეფასებები. შემუშავებულ იქნა წყლის მინერალიზაციის და სხვა ქიმიური იონების პროგნოზირების ალბათური მეთოდი, რომელიც ჯგუფურ მოდელირებაზეა დაფუძნებული. ვინაიდან რიონი ძალზე წყალუხვი მდინარეა, მაღალია წყლის დინების სიჩქარეც, შესაბამისად ძალზე ინტენსიურად მიმდინარეობს თვითგაწმენდის პროცესებიც.გაჭუჭყიანებისა და თვითგაწმენდის პროცესებს შორის კანონზომიერების შესწავლა და გაჭუჭყიანებული ნივთიერების გარდაქმნის ძირითადი ფაქტორების გამოვლენა გვაძლევს პროგნოზის საშუალებას თუ როგორი შეიძლება იყოს წყლის თვისება ადამიანის სამეურნეო საქმიანობის ზემოქმედებით. რაც მეტად მნიშვნელოვანია წყლის რესურსების აუზური მართვისა და კომპლექსური გამოყენების პერსპექტივაში დაგეგმარებისას.		

❖ საზოგადოებრივი გეოგრაფიის განყოფილება

სამეცნიერო ერთეულის დასახელება: საზოგადოებრივი გეოგრაფიის ლაბორატორია
სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი - გეოგრაფიის აკად. დოქტორი **ვაჟა ნეიძე**
სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

1. ნანა ნადარეიშვილი
2. გიორგი მელაძე
3. მზია თუთბერიძე
4. ნანა კვირკველია
5. დავით ბეროშვილი
6. ნინო მარჯანიძე
7. გივი თავაძე
8. გიორგი ხომერიკი

I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
აღმოსავლეთ საქართველოსა და მისი რეგიონების რეკრეაციული პოტენციალი	ვ. ნეიძე	ნ. ნადარეიშვილი გ. მელაძე მ. თუთბერიძე ნ. კვირკველია დ. ბეროშვილი ნ. მარჯანიძე გ. თავაძე გ. ხომერიკი
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები		
წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო აღმოსავლეთ საქართველოში ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის და ტურიზმის ცალკეული სახეობების მდგომარეობის შესწავლა. გეგმის შესაბამისად ჩატარდა ექსპედიციები აღმოსავლეთ საქართველოს სამ რეგიონში: შიდა ქართლში (კასპის, გორის, ქარელისა და ხაშურიოს მუნიციპალიტეტებში), კახეთში (თელავის, ყვარლის, ლაგოდეხის, დედოფლისწყაროს, გურჯაანისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტებში), და მცხეთა-მთიანეთში (თიანეთის, დუშეთის, ყაზბეგის, მცხეთის მუნიციპალიტეტებში). შესწავლილ იქნა ამ რეგიონების ტურისტულ-რეკრეაციული ობიექტები, კერძოდ, სასტუმრო კომპლექსები და ღვინის ტურიზმის ცენტრები: როიალ ბატონი, ყვარლის ტბა, იღიას ტბა, ლოპოტის ტბა, შატო მერე, შუხმანის ღვინის სასტუმრო, კაჭრეთის ამბასადორი და სხვა, რომლებიც კეთილმოწყობისა დონითა და ვიზიტორების რაოდენობით გაცილებით ჭარბობს სხვა საკვლევ რეგიონებს. შესწავლილ იქნა საკვლევი რეგიონის სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ობიექტები, მათ შორის, კურორტები და საკურორტო ადგილები: თეთრი წყლები, ხოვლე, ბიისი, აბანო, მიწობი, გორიჯვარი, რომლებიც ფაქტობრივად აღარ ფუნქციონირებენ, გარდა უჯარმისა, რომელიც რამოდენიმე წელია აქტიურად ფუნქციონირებს. სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ობიექტების გარდა ყურადღება მიექცა ეკოტურიზმის პრობლემებს, რომლებიც არსებობს საკვლევი რეგიონის დაცულ ტერიტორიებში: ლაგოდეხის ნაკრძალი, ვაშლოვანის ეროვნული პარკი და ნაკრძალი, ჭაჭუნას აღკვეთილი და ბუნების ძეგლები: ალაზნის ჭალის, ტახტი-თეფას, არწივის ხეობის. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში დამუშავდა ცალკეული თემები: კახეთის ტურისტული პოტენციალი, საკურორტო ადგილები აღმოსავლეთ საქართველოში, სარეკრეაციო მეურნეობისა და სხვა		

სამეურნეო დარგების ურთიერთობის საკითხები საქართველოში, ტურისტული კომპანიები საქართველოში და სხვ.
აღნიშნული სამუშაოების შედეგად, საკვლევ რეგიონში დადგინდა მრავალფეროვანი ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის ტერიტორიული განაწილების სურათი, ასევე, მნიშვნელოვანი კონტრასტები მის ათვისებასა და ტურიზმის განვითარებაში. ამ დარგის მდგომარეობა რეგიონში ჯერ კიდევ მოითხოვს მრავალასპექტიანი შესაძლებლობების რეალიზაციას. ყურადღებას იპყრობს კახეთის რეგიონში წყალსატევების ტურისტული გამოყენების პრაქტიკა, რომლის გამოცდილება უნდა გაიზიარონ საქართველოს სხვა რეგიონებმა.

I. 4. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული გარდამავალი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეც-ნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1.	საქალაქო აგლომერაციების ლანდშაფტური დაგეგმარების მეთოდოლოგია (თბილისი-რუსთავის მაგალითზე)	რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ნ. ელიზბარაშვილი	გ. მელაძე
2.	აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის კომპლექსურ-გეოგრაფიული კვლევა თანამედროვე მეთოდების გამოყენებით ხევის, ხევსურეთის, თუშეთის მაგალითზე	რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ნ. პავლიაშვილი	ნ. კვირკველია

სახელმწიფო გრანტით დაფინანსებული გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები

1. განსაზღვრულ იქნა ქ. თბილისის და ქ. რუსთავის საქალაქო აგლომერაციის ინტეგრირებული კონფლიქტები რელიეფის, მცენარეულობის, ნიადაგების, კლიმატის და სხვა მახასიათებლების მიხედვით.
შედგენილ იქნა ქ. თბილისის და ქ. რუსთავის საქალაქო აგლომერაციის ინტეგრირებული კონფლიქტების გეოსაინფორმაციო სისტემა და 2 ათეულამდე სხვადასხვა დასახელების რუკა.
შესწავლილ იქნა ქ. თბილისის და ქ. რუსთავის საქალაქო აგლომერაციის ლანდშაფტები და დემოგეოგრაფიული ვითარება როგორც თანამედროვე, ისე გასული პერიოდის მიხედვით.

2.პროექტის ფარგლებში ნანა კვირკველია იმყოფებოდა ექსპედიციაში საქართველოს მთიან მხარეებში: თუშეთში, ხევსურეთსა და ხევში. იქ ყოფნის დროს შეხვდა ადგილობრივ მოსახლეობას და საჯარო მოხელეებს. ჩაატარა სოციოლოგიური გამოკითხვა მისივე შედგენილი ანკეტით. გამოკითხულ იქნა 100-მდე რესპოდენტი. გადაიღო ფოტოები და აღწერა მთაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური თანამედროვე პროცესები, პრობლემები, ტურიზმის განვითარების ტენდენციები, ინფრასტრუქტურა, გზები და სხვ. გაკეთდა იქ არსებული სასტუმროების ნუსხა. GPS-ის მეშვეობით მოხდა მარშრუტების, კონკრეტული სოფლების, ღირსშესანიშნაობების, სასტუმროების და სხვ. კოორდინატების აღება. არსებული მასალა დატანილ იქნა ელექტრონულ რუკებზე.
ამავე გრანტის ფარგლებში ნანა კვირკველია იმყოფებოდა საფრანგეთში, სავოეში – მონბლანის სახელობის უნივერსიტეტში. სადაც ჰქონდა გასვლები ალპებში. გაეცნო სამთო კურორტების დაგეგმარების განვითარების მოდელებს. ისარგებლა სავოიეს უნივერსიტეტის მთის შემსწავლელი დეპარტამენტის (EDYTEM) ლაბორატორიით და ბიბლიოთეკით.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	ვ. ნეიძე მ. თუთბერიძე გ. ხომერიკი გ. ლომინაძე	ზემო სვანეთის ტურისტული წარსული, აწმყო და მომავალი	„გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები.“	თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2015	5
2.	გ. მელაძე (ბ. მაჩიტაძე)	იმერეთის რეგიონის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა	„გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები“	თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2015	3
3.	გ. მელაძე (ნ. ელიზბარაშვილი)	თბილისის ლანდშაფტური მრავალფეროვნება და გეოეკოლოგიური მახასიათებლები	საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება“	თბილისი, 2015	4
4.	ნ. ნადარეიშვილი (რ. აბულაძე, ე. ბარათაშვილი)	საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციის „თანამედროვე მენეჯმენტი: პრობლემები, ჰიპოთეზები, კვლევები“ მასალები		ბათუმი, 2015.	5
5.	ნ. კვირკველია	თუშეთის დაცული ტერიტორიების ტურისტული რესურსები და თანამედროვე მდგომარეობა. „გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები“		უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2015	5
6.	დ. ბეროშვილი	კახეთის სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემები.	„გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები“	უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2015	6
7.	ნ. მარჯანიძე	თბილისის ტურისტული მარშრუტები ისტორიულ ჭრილში	„გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები“	უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2015	4

ანოტაციები

1. სტატიაში განხილულია ზემო სვანეთის მდიდარი ბუნებრივი და ანთროპოგენური ტურისტული პოტენციალი, რომელიც მხარის ჩაკეტილობის გამო დიდხანს იყო გამოუყენებელი და მხოლოდ 2000-იანი წლებიდან, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად დაიწყო მისი ინტენსიური ათვისება.
2. სტატიაში განხილულია იმერეთის რეგიონის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები: შობადობა, მოკვდაობა, ბუნებრივი მატება. გაკეთებულია დასკვნა განხილულ რეგიონში არსებული დემოგრაფიული ვითარების დარეგულირების მიზნით, მიზანშეწონილია გრძელვადიანი პრონატალისტური ფართომასშტაბიანი დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება, რომელიც რეგიონის დემოგრაფიული განვითარების ყველა ასპექტს მოიცავს. წინააღმდეგ შემთხვევაში რეგიონში მოსალოდნელია დემოგრაფიული ვითარების კიდევ უფრო გაუარესება, რაც უპირველეს ყოვლისა მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურის დაბერებაში აისახება. აღნიშნულ

სტრუქტურაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული როგორც რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური, ასევე დემოგრაფიული განვითარების პერსპექტივები.
3. განხილულია თბილისის ეკოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებული საკითხები. წარმოდგენილია ქალაქის ფარგლებში 8 ლანდშაფტური ერთეული. ხაზგასმულია, რომ თბილისში განსაკუთრებით რთული ეკოლოგიური ვითარება შეიქმნა მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულში, როდესაც ენერგეტიკულ კრიზისს დედაქალაქისა და მისი მიდამოების მწვანე საფარის დეგრადაცია მოჰყვა შედეგად. ამჟამად ტრანსფორმაციას განიცდის დასავლეთის და ჩრდილოეთის ისედაც დეგრადირებული ლანდშაფტების მნიშვნელოვანი ნაწილი, რასაც საქალაქო განაშენიანების ზრდა განაპირობებს.
4. სტატიაში განხილულა საქართველოს უმაღლესი განათლების პოტენციალი, როგორც ეკონომიკის აღორძინების რესურსი. აგრეთვე, შემოსავლები ეკონომიკაში, რომლებიც უმაღლესი განათლების დაწესებულებების საქმიანობიდანაა მიღებული. მოხსენების ძირითადი საკითხები ეხებოდა საქართველოს უმაღლესი განათლების ეკონომიკურ პოტენციალს, განათლების ხარისხის შესაბამისობას ევროპულ სისტემასთან, ყურადღება გამახვილებულია პედაგოგების პროფესიონალიზმზე და აკადემიური პერსონალის მაღალ დონეზე, სახელმწიფოს მხრიდან უმაღლესი სასწავლებლების არასაკმარის დაფინანსებაზე. შემოთავაზებულის უმაღლესი განათლების სისტემის სრულყოფისათვის გარკვეული რეკომენდაციები.
5. სტატიაში მოცემულია თუშეთის დაცულ ტერიტორიებში არსებული ტურისტულ-რესურსული პოტენციალი (ბიომრავალფეროვნება, ენდემური სახეობები და სხვ.) და მათი მნიშვნელობა. აღწერილია ტურიზმის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პრობლემები.
6. სტატიაში განხილულია კახეთის სოფლის მეურნეობის გეოგრაფიის ძირითადი საკითხები: მემცენარეობისა და მეცხოველეობის ცალკეული დარგების ეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკა ბოლო ათწლეულში; შესწავლილია კახეთში სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშემშლელი ფაქტორები.
7. სტატიაში, სხვადასხვა დროს გამოცემული თბილისის გზამკვლევებისა და ტურისტული რუკების შესწავლის საფუძველზე, განხილულია ქალაქის ტურისტული მარშრუტებისა და ტურისტული ობიექტების ცვლილებები 1896 წლიდან დღემდე.

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	მ. მელაძე, (ნ. ელიზბარაშვილი, დ. სვანაძე, ლ. გადრანი, ი. ლაზარაშვილი)	საქართველოს გეოგრაფიის ზოგიერთი აქტუალური საკითხი. „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები.“ („Earth Sciences“)	N 4 (5-1)	http://article.sciencepublishinggroup.com/pdf/10.11648.j.earth.s.20150405 01.11.pdf	7
2.	გ. ხომერიკი გ. მელაძე	საქართველოში ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების რესურსები და საფრთხეები. „გარემოს დაცვის ამერიკული ჟურნალი“. („American Journal of Environmental Protection“)	N 4 (3-1)	http://www.sciencepublishinggroup.com/specialissue/163003	6

ანოტაციები

1. სტატიაში განხილულია საქართველოს გეოგრაფიის აქტუალური საკითხები, როგორიცაა მიწათსარგებლობის ახალი ორიენტაცია და რეგიონების ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ოპტიმალური გამოყენება, დემოგრაფიული სტაბილურობა და მთიანი ტერიტორიების განვითარება. აგრეთვე ქვეყნის განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირებული ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა გლობალური ეკოლოგიური პრობლემები და გეოსისტემათა მდგომარეობის პროგნოზირება,

სამხედრო გეოგრაფიის განვითრება და ეკოლოგიურად დაძაბული ტერიტორიების ლანდშაფტური დაგეგმარება.
2. უკანასკნელ წლებში საქართველოში აქტიურად ვითარდება ეკოლოგიური ტურიზმი, რაც მეტად მნიშვნელოვანია გარემოს დაცვის, რესურსების რაციონალური გამოყენების და მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე ქვეყნის პოზიციონირების პერსპექტივებისათვის. სტატიაში განხილულია საქართველოს ეკოტურიზმის განვითარების ზოგიერთი სპეციფიკური პრობლემა.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.	ვ. ნეიძე	ალექსანდრე ჯავახიშვილი - ქართული გეოგრაფიის ფენომენი	2015 წ. 22 ოქტომბერი. ქ. თბილისი, საერთაშორისო კონფერენცია „გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები“
2.	ვ. ნეიძე	სპორტი და კარტოგრაფია	2015 წ. თებერვალი. ქ. თბილისი, თსუ, პროფესორ ჯ. კეკელიას 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია
3.	გ. ხომერიკი	ზემო სვანეთის ტურისტული წარსული, აწმყო და მომავალი	2015 წ. 24 ოქტომბერი ქ. თბილისი, საერთაშორისო კონფერენცია „გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები“
4.	გ. მელაძე	სქესთა მეორეული თანაფარდობის ასპექტები საქართველოში	2-7 თებერვალი, 2015, თსუ
5.	გ. მელაძე	იმერეთის რეგიონის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა	22-23 ოქტომბერი, 2015, თსუ
6.	გ. მელაძე	თბილისის ლანდშაფტური მრავალფეროვნება და გეოეკოლოგიური მახასიათებლები	4-6 ნოემბერი, 2015, თბილისი
7.	ნ. ნადარეიშვილი (რ. აბულაძე, ე. ბარათაშვილი, ნ. ნადარეიშვილი)	უმაღლესი განათლების ეკონომიკური პოტენციალი საქართველოში	24- 25 ივნისი, ბათუმი, 2015 ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი, I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენცია, თანამედროვე მენეჯმენტი: პრობლემები, ჰიპოთეზები, კვლევები
8.	ნ. ნადარეიშვილი (კ. კიკაბიძე, ნ. ძიძიკაშვილი, ნ. ნადარეიშვილი)	ეროვნულ დიასპორასთან კოლაბორირებული ცოდნის ქსელის ჩამოყალიბების საკითხისათვის	2015 წ. 15-18 ოქტომბერი, თბილისი, თსუ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მიგრაციული პროცესები და იდენტობათა ტრანსლაცია“
9.	ნ. კვირკველია	თუშეთის დაცული ტერიტორიების ტურისტული რესურსები და თანამედროვე მდგომარეობა	22.11.2015. ქ. თბილისი, საერთაშორისო კონფერენცია „გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები“
10.	დ. ბეროშვილი	კახეთის სოფლის მეურნეობის	22.11.2015. ქ. თბილისი, საერთაშორისო კონფერენცია „გეოგრაფიისა და

		განვითარების პრობლემები	ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები“
11.	ნ. მარჯანიძე	თბილისის ტურისტული მარშრუტები ისტორიულ ჭრილში	22.11.2015. ქ. თბილისი, საერთაშორისო კონფერენცია „გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები“

მოხსენებათა ანოტაციები

1. მოხსენება მიეძღვნა უნიკალური ქართველი მეცნიერის ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე ჯავახიშვილის ტრანსფორმაციებით სავსე ცხოვრებას, რომელმაც გაიარა გზა ანთროპოლოგიიდან გეოგრაფიამდე.
2. მოხსენება მიეძღვნა სპორტის გეოგრაფიის ძირითად პრობლემებს (სპორტული ცენტრებისა და ობიექტების მდებარეობა, სპორტის ტერიტორიული სტრუქტურა, სპორტის კავშირი გარემოსთან და სხვ) და მათი კარტირების საკითხებს.
3. მოხსენება მიეძღვნა ზემო სვანეთის უნიკალურ ტურისტული პოტენციალს, რომელიც მხარის ჩაკეტილობის გამო დიდხანს გამოუყენებელი იყო და მხოლოდ 2000-იანი წლებიდან, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად, დაიწყო მისი ინტენსიური ათვისება.
4. 1990-იანი წლების პირველი ნახევრიდან საქართველოში დარღვეულია სქესთა მეორეული თანაფარდობა. 2008 წელს აღნიშნულმა თანაფარდობამ უპრეცედენტო ნიშნულს 128-ს მიაღწია. უკანასკნელ წლებში (2011-2013 წწ.) მიუხედავად მისი ერთგვარი კლებისა, იგი კვლავ აღემატება 107-ს. გამოკვლევების შედეგად აღნიშნული პრობლემის მიზეზად სპეციალისტები სელექციურ აბორტებს, აგრეთვე 1990-იანი წლებიდან რეგიონში მიმდინარე ლოკალურ ომებსა და მუდმივი შიშის მდგომარეობას მიიჩნევენ. არსებობს პრობლემის ახსნის სხვა ვერსიებიც. ფაქტია, რომ განხილული პრობლემა სპეციალურ კომპლექსურ კვლევა-ძიებეს საჭიროებს.
5. მოხსენებაში განხილულ იქნა იმერეთის რეგიონის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები: შობადობა, მოკვდაობა, ბუნებრივი მატება. გაკეთებულია დასკვნა განხილულ რეგიონში არსებული დემოგრაფიული ვითარების დარეგულირების მიზნით, მიზანშეწონილია გრძელვადიანი პრონატალისტური ფართომასშტაბიანი დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება, რომელიც რეგიონის დემოგრაფიული განვითარების ყველა ასპექტს მოიცავს. წინააღმდეგ შემთხვევაში რეგიონში მოსალოდნელია დემოგრაფიული ვითარების კიდევ უფრო გაუარესება, რაც უპირველეს ყოვლისა მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურის დაბერებაში აისახება. აღნიშნულ სტრუქტურაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული როგორც რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური, ასევე დემოგრაფიული განვითარების პერსპექტივები.
6. მოხსენებაში განხილულ იქნა თბილისის ეკოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებული საკითხები. წარმოდგენილია ქალაქის ფარგლებში 8 ლანდშაფტური ერთეული. ხაზგასმულია, რომ თბილისში განსაკუთრებით რთული ეკოლოგიური ვითარება შეიქმნა მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულში, როდესაც ენერგეტიკულ კრიზისს დედაქალაქისა და მისი მიდამოების მწვანე საფარის დეგრადაცია მოჰყვა შედეგად. ამჟამად ტრანსფორმაციას განიცდის დასავლეთის და ჩრდილოეთის ისედაც დეგრადირებული ლანდშაფტების მნიშვნელოვანი ნაწილი, რასაც საქალაქო განაშენიანების ზრდა განაპირობებს.
7. მოხსენებაში განხილულ იქნა საქართველოს უმაღლესი განათლების პოტენციალი, როგორც ეკონომიკის აღორძინების რესურსი. აგრეთვე, შემოსავლები ეკონომიკაში, რომლებიც უმაღლესი განათლების დაწესებულებების საქმიანობიდანაა მიღებული. მოხსენების ძირითადი საკითხები ეხებოდა საქართველოს უმაღლესი განათლების ეკონომიკურ პოტენციალს, განათლების ხარისხის შესაბამისობას ევროპულ სისტემასთან, ყურადღება გამახვილებულია პედაგოგების პროფესიონალიზმზე და აკადემიური პერსონალის მაღალ დონეზე, სახელმწიფოს მხრიდან უმაღლესი სასწავლებლების არასაკმარის დაფინანსებაზე. შემოთავაზებულის უმაღლესი განათლების სისტემის სრულყოფისათვის გარკვეული რეკომენდაციები.
8. საქართველოდან ემიგრაციის მაღალი დონე ძირითადად უმუშევრობითაა განპირობებული. დიასპორა ფულადი გზავნილებით ეხმარება შემოსავლების გენერირებას, ამცირებს სიღარიბეს, ზრდის მოხმარებას, უზრუნველყოფს გარკვეულ ინვესტიციებს განათლებაში და წარმოებაში. ასევე მნიშვნელოვანი რესურსია ის, რომ დიასპორა შეიძლება გახდეს მძლავრი ინსტრუმენტი ჩვენი ქვეყნის ინტეგრაციისათვის გლობალურ ეკონომიკაში და მოწინავე განვითარებული ქვეყნების თანამედროვე ცოდნისა და უახლესი პრაქტიკული

ღონისძიებების გადმოცემისათვის.
9. მოხსენებაში განხილულ იქნა თუშეთის დაცულ ტერიტორიებში არსებული ტურისტულ-რესურსული პოტენციალი (ბიომრავალფეროვნება, ენდემური სახეობები და სხვ.) და მათი მნიშვნელობა. აღწერილია ტურიზმის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პრობლემები.
10. მოხსენებაში განხილულ იქნა კახეთის სოფლის მეურნეობის გეოგრაფიის ძირითადი საკითხები: მემცენარეობისა და მეცხოველეობის ცალკეული დარგების ეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკა ბოლო ათწლეულში; შესწავლილია კახეთში სოფლის მეურნეობის განვითარების ხელსემშლელი ფაქტორები.
11. მოხსენებაში, სხვადასხვა დროს გამოცემული თბილისის გზამკვლევებისა და ტურისტული რუკების შესწავლის საფუძველზე განხილულ იქნა ქალაქის ტურისტული მარშრუტებისა და ტურისტული ობიექტების ცვლილებები 1896 წლიდან დღემდე.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.	ვ. ნეიძე	სპორტის გეოგრაფიული კვლევის პრობლემები (რუს. ენაზე)	2015 წ. 17-18 სექტემბერი. ქ. ბაქო, აზერბაიჯანი. საერთაშორისო სამეცნიერო-პარაქტიკული კონფერენცია „ბუნებრივ-სამეურნეო სისტემების თანამედროვე გლობალური ცვლილებებან ადაპტაციის პრობლემები“
2.	მ. თუთბერიძე (ნ. პავლიაშვილი)	სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმი საქართველოში (რუს. ენაზე)	ქ. ბაქო, აზერბაიჯანი. საერთაშორისო სამეცნიერო-პარაქტიკული კონფერენცია „ბუნებრივ-სამეურნეო სისტემების თანამედროვე გლობალური ცვლილებებან ადაპტაციის პრობლემები“. 2015 წ. 17-18 სექტემბერი
3.	გ. მელაძე (ი. ბადურაშვილი ნ. კობახიძე რ. ნადირაძე)	საქართველოს ინსტიტუციების მიმოხილვა (ინგლ. ენაზე)	28-30 ნოემბერი, 2015 ბაქო, აზერბაიჯანი
4.	გ. მელაძე	საქართველო და საერთაშორისო ტურები შავ ზღვაზე (ინგლ. ენაზე)	4-6 დეკემბერი, 2015 ვარნა, ბულგარეთი

მოხსენებათა ანოტაციები

1. მოხსენება სპორტის, როგორც თანამედროვე საზოგადოების მნიშვნელოვანი ფენომენის გეოგრაფიული კვლევის ძირითად საკითხებს: სპორტის ადგილი მსოფლიოში, სპორტის გეოგრაფიულობა, სპორტული ცენტრებისა და ობიექტების მდებარეობა, სპორტის ტერიტორიული სტრუქტურა, სპორტის კავშირი გარემოსთან და სხვ.
2. მოხსენების თემას წარმოადგენდა საქართველოსთვის ტურიზმის ტრადიციული სახეობის, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმის, განვითარება მე-20 საუკუნის ბოლოს და 21-ე საუკუნის დასაწყისში.
3. მოხსენებაში განხილულ იქნა საქართველოს განათლების სისტემაში არსებული რეგულაციები. სახელმწიფოს როლი განათლების სისტემაში. შრომის ბაზარი და მასთან დაკავშირებული დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემები. აღნიშნული პრობლემები წარმოდგენილ იქნა განსახლების ფორმების მიხედვით - ქალაქ-სოფლის ჭრილში. ქვეყანაში არსებული სოციალური დაცვის სისტემა. მოხსენება უმთავრესად ეფუძნებოდა ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს.
4. ძირითადი ყურადღება გამახვილებულ იქნა საქართველოს შავიზღვისპირეთის (აჭარის რეგიონი) ტურისტულ შესაძლებლობებზე. წარდგენილ იქნა სხვადასხვა სახის (ისტორიული, შემეცნებითი, ღვინის) საერთაშორისო ტურები. კერძოდ, უკრაინასთან, მოლდოვეთთან, ბულგარეთთან და რუმინეთთან ერთად.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1.	შავი ზღვის ქსელის შექმნა ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის ბულგარეთში, რუმინეთში, უკრაინაში, მოლდოვასა და საქართველოში	კ. ბილაშვილი	გ. მელაძე (კ. ბილაშვილი ნ. პავლიაშვილი ი. სალუქვაძე ვ. მელიქიძე ვ. ტრაპაიძე)	ევროკავშირი
2.	საქართველოს რეგიონებში კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და ზემოქმედების შერბილების ზომების ინსტიტუციონალიზაცია	ნ. შატბერაშვილი	გ. ხომერიკი	ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები 1. პროექტის ფარგლებში შესწავლილ იქნა აჭარის ტურისტული პოტენციალი, პარტნიორებისადმი შეთავაზებულ იქნა სხვადასხვა სახის (შემეცნებითი, ისტორიული, ღვინის და სხვ.) ტურები. მოეწყო გასვლითი შეხვედრები ბულგარეთში, რუმინეთში, მოლდოვაში, უკრაინაში და საქართველოში. სამუშაო შეხვედრებზე გამიხილებოდა თითოეული ქვეყნის ტურიზმთან დაკავშირებული საკითხები. მომზადდა საერთაშორისო ტურები და ვებ გვერდი რომელზედაც განთავსებულია, სრული ინფორმაცია დაინტერესებულ პირთათვის. პროექტს ხელმძღვანელობას უწევდა ვარნის (ბულგარეთი) მუნიციპალიტეტი. პროექტი წვლილს შეიტანს შავიზღვისპირეთის ქვეყნებში ტურიზმის განვითარებაში. 2. პროექტის ფარგლებში შესწავლილ იქნა კლიმატის ცვლილებების გავლენა ტურიზმზე, კულტურულ მემკვიდრეობაზე და დაცულ ტერიტორიებზე საქართველოს თვითმმართველ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებში. შემუშავებულ იქნა კლიმატის ცვლილებების ნეგატიური შედეგების შემცირებისა და პრევენციის რეკომენდაციები მუნიციპალიტეტების და თვითმმართველი ქალაქების ხელმძღვანელებისათვის.			

IV. 2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1.	შესაძლებლობები და ბარიერები ახალგაზრდების განათლების დასრულებიდან შრომით ბაზარზე დასაქმებამდე გადასვლის პროცესში. შედარებითი ანალიზი საქართველოში, აზერბაიჯანსა და	ი. ბადურაშვილი	გ. მელაძე (ნ. კობახიძე რ. ნადირაძე)	ფოლკსვაგენის ფონდი

	ტაჯიკეთში			
2.	მთიანი რაიონების მდგრადი განვითარება და რესურსების მართვა	ნ. ელიზბარაშვილი	გ. მელაძე, (დ. ნიკოლაიშვილი)	ბერნის (შვეიცარია) უნივერსიტეტი
3.	თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლება.	მ. სალუქვაძე	გ. მელაძე (მ. სალუქვაძე მ. ბოლქვაძე გ. შაიშმელაშვილი ი. სალუქვაძე ზ. არჩუაძე გ. მელაძე)	თბილისის მერია

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები

1. შედგა სამუშაო შეხვედრა ქ. ბაქოში (აზერბაიჯანი), სადაც განხილულ იქნა სოციოლოგიურ კვლევასთან დაკავშირებული საკითხები. აგრეთვე მოხდა სამივე მონაწილე ქვეყნის დოქტორანტების პრეზენტაციების მოსმენა.
2. შვეიცარიელ და სომეხ კოლეგებთან ერთად მომზადდა საფუძველი სასწავლო კურსის: ,,მთიანი რაიონების მდგრადი განვითარება და რესურსების მართვა" შესაქმნელად.
3. მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გასაახლებლად.

❖ კარტოგრაფია-გეოინფორმატიკის ლაბორატორია

სამეცნიერო ერთეულის დასახელება: კარტოგრაფია-გეოინფორმატიკის ლაბორატორია

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: გეოგრ. აკად. დოქტორი **გულიზა ლიპარტელიანი**

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

1. თამარი ჭიჭინაძე
2. ნატო სოლოღაშვილი
3. რომან კუმლაძე
4. ანი ირემაშვილი
5. თამარ ცხაკაია
6. ქეთი კოღუაშვილი
7. მიხეილ ხაბაზიშვილი
8. ნინო გესლაიძე
9. მეგი გუგეშაშვილი

I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

II.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	საქართველოს საცნობარო კომპლექსური გეოგრაფიული ატლასის შესადგენად არსებული ატლასების გაცნობა, დარგობრივი რუკების შესადგენად საჭირო მონაცემების განსაზღვრა და ანალიზი	გ.ლიპარტელიანი	თ.ჭიჭინაძე ნ.სოლოღაშვილი თ.ცხაკაია რ.კუმლაძე ნ.გესლაიძე ა.ირემაშვილი ქ.კოღუაშვილი მ.ხაბაზიშვილი მ.გუგეშაშვილი
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
1	2015 წლის განმავლობაში მოხდა ქართული და უცხოური ატლასების გაცნობა, თემატიკის და დიზაინის ანალიზი, პრიორიტეტების და მომავალი ატლასის სტილის განსაზღვრა, სამეცნიერო ატლასისგან განსხვავებული კონცეფციის შექმნა. მიღწეულის საფუძველზე შედგენილ იქნა მომავალი ატლასის პროგრამა, რომელშიც გამოიკვეთა ატლასის განყოფილებები და მათში შემავალი თემები. თითოეული თემისთვის (რუკისთვის) განისაზღვრა მასშტაბი. მასშტაბთა დადგენით შესაძლებელი გახდა ატლასის ფორმატის და მოცულობის განსაზღვრა, ატლასის მაკეტის შექმნა. თემატიკის განსაზღვრისა და მასშტაბთა მწკრივის დადგენით გამოიკვეთა სამი მასშტაბი, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემენ სრულფასოვნად გამოვსახოთ შესადგენი რუკების შინაარსი. ეს მასშტაბებია: 1:1 500 000, 1:2 000 000, 1:3 000 000. შერჩეული მასშტაბებისთვის შედგენილ იქნა ზოგადგეოგრაფიული საფუძვლები შემდეგი აუცილებელი დატვირთვით: ჰიდროგრაფიული ქსელი, დასახლებული პუნქტები, რელიეფი. დამატებითი ელემენტებიდან გათვალისწინებულია ტყის საფარი და გზათა ქსელი. საფუძვლების მომზადებისას გათვალისწინებული იქნა კარტოგრაფიული გენერალიზაციის მთავარი პრინციპი - მსხვილმასშტაბიანი რუკა წარმოადგენს უფრო წვრილმასშტაბისნი რუკების საფუძველს, რაც იმას ნიშნავს, რომ მთავარი მასშტაბი არის 1:1 500 000, ხოლო 1:2 000 000 და 1:3 000 000 მისგან წარმოებული ანუ გამარტივებული საფუძვლებია.		

II. 1. პუბლიკაციები:
ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გ.ლიპარტელიანი ნ.სოლოღაშვილი	ალექსანდრე ჯავახიშვილი და კარტოგრაფია. კრებული - ,,გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები“	საერთაშორისო კონფერენციის მასალები.ეძღვნება აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლისთავს	თბილისი, ი.ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	26-29
2	თ.ჭიჭინაძე, თ. ცხაკაია	საქართველოს მართლმადიდებელი ეპარქიების გეოსაინფორმაციო სისტემის შედგენა და კარტოგრაფირება	საერთაშორისო კონფერენციის მასალები.ეძღვნება აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლისთავს	თბილისი, ი.ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	428-434

ანოტაციები

1	ალექსანდრე ჯავახიშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული კარტოგრაფიის განვითარებაში. 1918 წელს გაიხსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მეცნიერებმა ანდრია ბენაშვილმა, ალექსანდრე ჯავახიშვილმა და სერგი ცხაკაიამ სწორად განსაზღვრეს, რომ ქვეყნის განვითარებისთვის საჭირო იყო გეოდეზიის, ტოპოგრაფიის, კარტოგრაფიის და გეოგრაფიის განვითარება. 1933 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შეიქმნა გეოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ინსტიტუტის დირექტორი გახდა ალ.ჯავახიშვილი. ინსტიტუტის სამი განყოფილებიდან ერთ-ერთი იყო კარტოგრაფიის განყოფილება. 1934 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი. ფიზიკური გეოგრაფიის კათედრის გამგედ დაინიშნა ალ.ჯავახიშვილი. მან ხელი შეუწყო ტოპოგრაფია-კარტოგრაფიის სპეციალობის შექმნას და მის ცალკე კათედრად ჩამოყალიბებას. 1959 წელს ალ.ჯავახიშვილმა და ა.ასლანიკაშვილმა დაამუშავეს საქართველოს ეროვნული ატლასის პროგრამა და პროექტი. ატლასი შედგენილ იქნა გეოგრაფიის ინსტიტუტში და გამოიცა 1964 წელს. მისი მაღალი მეცნიერული დონე სათანადოდ დაფასდა და ინსტიტუტის წამყვან მეცნიერებს სახელმწიფო პრემია მიენიჭათ. ალ.ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით საქართველოში განვითარდა კარტოგრაფიის ფუნდამენტური დარგები: ზოგადგეოგრაფიული კარტოგრაფია (ს.ცხაკაიასთან ერთად) და თემატური კარტოგრაფია (ა.ასლანიკაშვილთან ერთად).
2	საქართველოს ეპარქიების გეოსაინფორმაციო სისტემა შედგენილია 1:100000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკის საფუძველზე პროგრამა ArcGis -ში. ნაშრომი მოიცავს ინფორმაციას 1978 წლიდან დღემდე. ამ პერიოდში ეპარქიების რაოდენობა რამდენჯერმე შეიცვალა, კერძოდ გაიზარდა. მონაცემთა ბაზები შემდეგი სახისაა: ეპარქიის სახელწოდება, ეპარქიაში შემავალი მუნიციპალიტეტები და სოფლები, ეპარქიის საპატრიარქო და საეპისკოპოსო საკათედრო ტაძრები (ტაძრის სახელწოდება), რეზიდენციები. სულ შედგენილია საქართველოს ეპარქიების ოთხი რუკა.

	რუკებზე გამოსახულია მოვლებეისა და პროცესების განვითარება დროსა და სივრცეში. რუკები დამუშავებულია პროგრამა Adobe Illustrator -ში.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	გ.ლიპარტელიანი	ალექსანდრე ჯავახიშვილი და კარტოგრაფია	საერთაშორისო კონფერენცია მიძღვნილი აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლისთავისადმი. 2015 წლის ოქტომბერი, თბილისი
2	თ.ჭიჭინაძე	საქართველოს მართლმადიდებელი ეპარქიების გეოსაინფორმაციო სისტემის შედგენა და კარტოგრაფირება	საერთაშორისო კონფერენცია მიძღვნილი აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლისთავისადმი. 2015 წლის ოქტომბერი, თბილისი
მოხსენებათა ანოტაციები			
1	დიდია ალ.ჯავახიშვილის ღვაწლი გეოგრაფიული მეცნიერების ყველა მიმართულების განვითარებაში. მნიშვნელოვანია, რომ მისი უშუალო ხსლმძღვანელობით განვითარდა კარტოგრაფიის ორი ფუნდამენტური დარგი: ზოგადგეოგრაფიული კარტოგრაფია კარტოგრაფ სერგი ცხაკაიასთან და თემატური კარტოგრაფია - კარტოგრაფ ალექსანდრე ასლანიკაშვილთან ერთად. ალ.ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით შედგა კავკასიის და საქართველოს რუკები, მისივე ხელმძღვანელობით დაიწყო მუშაობა საქართველოს პირველ ატლასზე, რომელიც გამოიცა 1964 წელს და სახელმწიფო პრემიით აღინიშნა.		
2	საქართველოს მართლმადიდებელი ეპარქიების გეოსაინფორმაციო სისტემის შესადგენად გაანალიზებულ იქნა ლიტერატურული მასალა, საეკლესიო კალენდრები, სინოდის ოქმები. გეოსაინფორმაციო სისტემაში აისახა შემდეგი პარამეტრები: ეპარქიის სახელწოდება, მუნიციპალიტეტი, საკათედრო ტაძრებისა და რეზიდენციების გეოგრაფიული მდებარეობა. ობიექტების განლაგებისათვის მომზადდა ზოგადგეოგრაფიული საფუძველი 1:100 000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკიდან. შედგენილია ხუთი რუკა. რომლებიც დინამიკაში ასახავენ 1978 – 2015 წლებში ეპარქიების რაოდენობას და შიდა სიტუაციას.		

დამატებითი ინფორმაცია

1. ნანა ბოლაშვილი არის გაეროს გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციის სამეცნიერო-ტექნოლოგიური კომიტეტის წევრი. მონაწილეობდა კომიტეტის მე-4 სხდომის მუშაობაში და დაესწრო გაეროს მიერ ორგანიზებულ მე-3 საერთაშორისო კონფერენციას მექსიკაში, ქ.კანკუნში.
2. ნანა ბოლაშვილი გაეროს ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების მომსახურების საერთაშორისო პლატფორმის სახელმძღვანელო დოკუმენტის მოსამზადებელი კომისიის მიერ არჩეული იქნა ერთ-ერთ წამყვან ავტორად. იგი იმყოფებოდა სამუშაო შეხვედრაზე გერმანიაში, ქ.ბონში. დოკუმენტის მომზადება გაგრძელდება 2 წლის მანძილზე.
3. კარტოგრაფია-გეოინფორმატიკის ლაბორატორიის ორმა თანამშრომელმა: თ. ჭიჭინაძემ და თ.ცხაკაიამ შექმნეს 3 რუკა: ,,საქართველოს მართლმადიდებელი ეპარქიები“ (1: 2 000 000); ,,საგოშაძეოთა სათავადო ოდიშის სამთავრო (XVI საუკუნის მეორე ნახევარი)” (1: 1 500 000) და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი (1: 300 000). აღნიშნული რუკები ფორზაცის ფორმით განთავსდა ც.გოშუას წიგნში ,,გვარიშვილთა სახელების უკვდავსაყოფად".
4. კატოგრაფია-გეოინფორმატიკის ლაბორატორიის თანამშრომელი მეგი გუგეშაშვილი წარმატებული სწავლისა და სამოქალაქო საზოგადოებაში აქტიური მონაწილეობისათვის გახდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ,,წარმატებული სტუდენტების წახალისების" პროგრამის სტიპენდიანტი.

2015 წელს გეოგრაფიის ინსტიტუტის დოქტორანტებმა მოიპოვეს გრანტები შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ერასმუს მუნდუსის პროგრამის ფარგლებში. პროექტებზე მუშაობა დაიწყება 2016 წელს.

№	პროექტის დასახელება	პროექტის ხელმძღვანელი	დამფინანსებელი ორგანიზაცია	სტაჟირების ადგილი
1.	საქართველოს სპელეოლოგიური რესურსების კვლევა და მათი პრაქტიკაში გამოყენება	ლაშა ასანიძე	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	დასავლეთ კენტუკის უნივერსიტეტი, (კენტუკი, აშშ)
2.	სტიქიების რისკების პრევენცია და წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა	ზაალ გულაშვილი	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ქ. დელფტის (ნიდერლანდები) ტექნოლოგიური უნივერსიტეტის სამოქალაქო ინჟინერიისა და გეომეცნიერებათა ფაკულტეტი წყლის ლაბორატორია
3.	წყლის რესურსების ინჟინერია	ზაალ გულაშვილი	ERASMUS MUNDUS ELECTRA	ქ. ვალენსიის (ესპანეთი) პოლიტექნიკური უნივერსიტეტის წყლის და გარემოს ინსტიტუტის ჰიდრავლიკის დეპარტამენტი
4	მთიანი ქალაქების ურბანული და ლანდშაფტური	ლელა გადრანი	ERASMUS MUNDUS ELECTRA	ქ.ტურინი (იტალია) პოლიტექნიკური

	დაგეგმარების პრინციპები			უნივერსიტეტი
5.	მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარების კვლევა ევროპაში აპრობირებული თანამედროვე მეთოდებით	თამარ ხარძიანი	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ბრემენის უნივერსიტეტი/ მდგრადობის კვლევითი ცენტრი
6.	ზვავსაშიში რელიეფის გეოეკოლოგიური შეფასება და GIS ანალიზი (რაჭის მაგალითზე)	მეგი გუგეშაშვილი	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტი	

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის
ინსტიტუტის დირექტორის მ.შ.
გეოგრაფიის აკად. დოქტორი ნ. ბოლაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის

ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის

ფ ი ზ ი კ ი ს ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ი ს

2015 წლის

სამეცნიერო მუშაობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის

ფ ი ზ ი კ ი ს ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ი ს

2015 წლის

სამეცნიერო მუშაობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

0186 თბილისი, თამარაშვილის ქ. № 6
ტელეფონი: 2 39 87 83
ფაქსი: 2 39 14 94
ელ-ფოსტა: g.gelashvili@aiphysics.ge

ფიზიკის ინსტიტუტის
დირექტორი — გ. გელაშვილი

სამეცნიერო საბჭოს
თავმჯდომარე — გ. ხარაძე

სწავლული მდივანი — ს. ნანობაშვილი

ელეფთერ ანდრონიკაშვილი სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის 2015 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში

ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახ. ფიზიკის ინსტიტუტში სამეცნიერო კვლევები მიმდინარეობს შესაბამის განყოფილებებში ექვსი მიმართულებით. ესენია:

1. *ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკა*
2. *კონდენსირებულ გარემოთა ფიზიკა*
3. *პლაზმის ფიზიკა*
4. *ბიოლოგიურ სისტემების ფიზიკა*
5. *ბირთვული კვლევების ცენტრი*
6. *მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეწყობის ცენტრი*

ინსტიტუტში *187* თანამშრომელია. მათ შორის *98* მეცნიერი თანამშრომელი (*18* - მთ.მეც.თან., *53* - უფრ.მეც.თან., *27* - მეც.თან.). 3 აკადემიის ნამდვილი წევრია. *23* მეცნიერებათა დოქტორი (მათ შორის *11* პროფესორი), *62* მეცნიერებათა კანდიდატი და *9* აკადემიური დოქტორი. *25* სამეცნიერო ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი. 64 ადმინისტრაციულ – ტექნიკური პერსონალი.

ინსტიტუტში მუშავდებოდა *17* სამეცნიერო თემა, როგორც თეორიული, ასევე ექსპერიმენტული ფიზიკის ზემოჩამოთვლილი მიმართულებებით. გრდა ამისა, *20* კვლევა მიმდინარეობდა გარნტული დაფინანსებით. *12* საერთაშორისო საგრანტო ფონდებიდან და *8* შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან. ამ გრანტებში დაკავებული იყო ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა ძირითადი ნაწილი.

ინსტიტუტის თანამშრომლებს საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნებული აქვთ *246* სამეცნიერო ნაშრომი (მათ შორის *142* ცერნ-ის ატლას (ATLAS) კოლაბორაციასთან ერთად) და მონაწილეობა მიღებული აქვთ *49* საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციაში.

ინსტიტუტი აწარმოებს კვლევებს საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში მსოფლიოს *2* წამყვან ფიზიკურ ცენტრთან.

ქვემოთ მოყვანილია 2015 წელს გაწეული სამეცნიერო მუშაობის ანგარიში განყოფილებების (მიმართულებების) მიხედვით.

ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკის განყოფილება

განყოფილების ხელმძღვანელი – ფიზ.-მათ. მეც. დოქტორი, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი ჯუანშერ ჩქარეული

განყოფილების პერსონალური შემადგენლობა: მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - ჯუანშერ ჩქარეული; უფროსი მეცნიერი თანამშრომლები - მერაბ გოგბერაშვილი, ილია გოგოლაძე, ედიშერ ცხადაძე, ლალი რურუა, თენგიზ ბარნაველი, მანანა სვანიძე, იური ვერბეცკი; მეცნიერი თანამშრომლები – ჯუანშერ ჯეჯელავა, ზურაბ კეპულაძე, ალექსი ღონღაძე; ინჟინრები – ნელი ერისთავი, დევი ღარიბაშვილი, თეიმურაზ ხუსკივაძე, ემა მაილიანი; ლაბორანტები მზია ნიკოლაძე, გულნარა ცილიკიშვილი (სულ 17 თანამშრომელი)

I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	**„დინამიურად წარმოშობილი გრავიტაციული და ყალიბური ველები, სტანდარტული მოდელის ფენომენოლოგია, მოდელები ექსტრა განზომილებიან სივრცე-დროში“ (2013-2018)** (ფიზიკა, თეორიული ფიზიკა, ელემენტარულ ნაწილაკთა თეორია)	**ჯუანშერ ჩქარეული**	**ილია გოგოლაძე მერაბ გოგბერაშვილი ზურაბ კეპულაძე ჯუანშერ ჯეჯელავა**
2	**“საერთაშორისო ATLAS ექსპერიმენტის პროგრამით გათვალისწინებულ გამოკვლევებში მონაწილეობა“ (2013-2018)** (ფიზიკა, მაღალი ენერგიების ფიზიკა)	**ჯუანშერ ჯეჯელავა**	**ედიშერ ცხადაძე ალექსი ღონღაძე გულნარა ცილიკიშვილი**
	„კოსმოსური გამოსხივების ნაწილაკების თვისებათა	**თენგიზ ბარნაველი**	**ნელი ერისთავი დევი ღარიბაშვილი**

3	**კომპლექსური შესწავლა“ (2013-2018)** (ფიზიკა, კოსმოსური სხივების ფიზიკა)		**ირინე ხალდეევა თეიმურაზ ბარნაველი**
1	**“პირველადი კოსმოსური სხივების მიერ ინიცირებული ფართე ატმოსფერული ღვარების სივრცე-დროითი კორელაციების შესწავლა შორ მანძილებზე განლაგებული მცირე სადგურების ქსელის საშუალებით” (2013-2018)** (ფიზიკა, კოსმოსური სხივების ფიზიკა)	**მანანა სვანიძე**	**იური ვერბეცკი ემა მაილიანი მზია ნიკოლაძე თეიმურაზ ხუსკივაძე**
დასრულებული კვლევითი პროექტების ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (პროექტები დასრულებული იქნებიან 2018 წელს)			

II. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	**„დინამიურად წარმოშობილი გრავიტაციული და ყალიბური ველები, სტანდარტული მოდელის ფენომენოლოგია, მოდელები ექსტრა განზომილებიან სივრცე-დროში“** (ფიზიკა, თეორიული ფიზიკა, ელემენტარულ ნაწილაკთა თეორია)	**ჯუანშერ ჩქარეული**	**ილია გოგოლაძე მერაბ გოგბერაშვილი ზურაბ კეპულაძე ჯუანშერ ჯეჯელავა**

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები

2015 წელს პროექტის ამ ეტაპის ერთერთ ძირითად შედეგს წარმოადგენს დეტალურად შესწავლილი კავშირი სამყაროს სივრცე–დროის თვისებებსა და ელემენტარულ ნაწილაკთა ფუნდამენტურ სიმეტრიებს შორის [1] (იხ. შრომათა სია ქვემოთ). ნაჩვენებია რომ დამატებითი სივრცე–დროის განზომილებები წარმოადგენენ ფოტონებთან და სხვა ყალიბურ ველებთან ასოცირებულ ვექტორული გოლდსტონური ბოზონების ბუნებრივ წყაროს. ფაქტობრივად, ვექტორული ველების პოტენციალური წევრები შემოყვანილი მაღალ განზომილებიან თეორიაში იწვევენ ძირითადი სივრცე–დროის სიმეტრიის სპონტანურ დარღვევას და ვექტორული გოლდსტონური მოდების გენერაციას. ამასთან, თუ თეორიას გააჩნია რაიმე შინაგანი სიმეტრია ეს სიმეტრიაც იწყებს დარღვევას. ამრიგად, თეორიაში ბუნებრივად წარმოიშვება სპეციფიური ჰიგსის ეფექტი ყოველგვარი სკალარული მულტიპლეტის შემოყვანის გარეშე. ნაჩვენებია რომ ამ მოვლენისშედეგად კვარკებისა და ლეპტონების დიდი გაერთიანების თეორიები ბუნებრივად

წარმოშობენ ე.წ. სტანდარტულ მოდელს დაბალ ენერგიებზე, რაც მიუთითებს შესაძლო ღრმა კავშირზე დიდ გაერთიანებასა და რელატივისტურ სიმეტრიას შორის.
სხვა მნიშვნელოვანი ფიზიკური შედეგები დაკავშირებულია სუპერსიმეტრიის ძიების ფენომენოლოგიურ ანალიზთან [3-5] და გახლეჩილი ოქტონიონების თეორიის განვითარებასთან [6].

2	**"საერთაშორისო ATLAS ექსპერიმენტის პროგრამით გათვალისწინებულ კვლევებში მონაწილეობა" (2013-2018)** (ფიზიკა, მაღალი ენერგიების ფიზიკა)	**ჯუანშერ ჯეჯელავა**	**ედიშერ ცხადაძე ალექსი ღონღაძე გულნარა ცილიკიშვილი**

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები

2015 წელს LHC/CERN-is ATLAS/Tile ადრონული კალორიმეტრის ჯგუფთან კოლაბორაციის ფარგლებში შემდეგი სამუშაოები განხორციელდა:
1. შესწავლილ იქნა ადრონული კალორიმეტრის მონაცემების ხარისხი (Data Quality). შემუშავდა მონაცემების სანდოობის კონტროლის რამოდენიმე კრიტერიუმი, რაც დადებითან აისახა კალორიმეტრის მიერ რეკონსტრუირებული ენერგიის სიზუსტეზე.
დადგინდა სარეკონსტრუქციო ალგორითმების ყოფაქცევა სიგნალის გაზრდილი დასახლების პირობებში (out-of-time pileup).
2. განხორციელდა ახალი სარეკონსტუქციო მეთოდის შესწავლის COF (Constraint Optimal Filtering), კალორიმეტრის დონეზე. მოხდა ალგორითმში გამოყენებული პარამეტრების შერჩევა LHC-ის მეორე გაშვების (RUN 2) სპეციფიკიდან გამომდინარე.
3. მიმდინარეობს ახალი სარეკონსტრუქციო ალგორითმის დამტკიცების პროცესი (Validation of Reconstruction Algorithms). მართალია სამუშაო უკვე განხორციელებული იყო კალორიმეტრის დონეზე, მაგრამ საჭიროა ახალი მეთოდის ზეგავლენის შესწავლა ATLAS დეტექტორის მიერ ფიზიკური მონაცემების რეკონსტრუქციის კონტექსტში.
ეს შედეგები აისახა ატლას-კოლაბოაციასთან ერთად გამოგვეყნებულ შრომებში [8-149].

3	**„კოსმოსური გამოსხივების ნაწილაკების თვისებათა კომპლექსური შესწავლა" (2013-2018)** (ფიზიკა, კოსმოსური სხივების ფიზიკა)	**თენგიზ ბარნაველი**	**ნელი ერისთავი დევი ღარიბაშვილი ირინე ხალდეევა თეიმურაზ ბარნაველი**

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები

2015 წელს ამ პროექტის ფარგლებში ძირითადი ყურადღება გამახვილებული იყო კოსმოსური გამოსხივების სპექტრების თავისებურებათა შესწავლაზე. ექსპერიმენტული მასალის ანალიზს საფუძვლად დაედო ატმოსფეროში ელექტრომაგნიტური კასკადების (ე.წ. ფართე ატმოსერული ღვარები) არა პირველადი ენერგია, რაც წარმოადგენს ტრადიციულ მიდგომას, არამედ ადრონული კომპონენტის ენერგოგამოყოფა დანადგარის იონიზაციურ

კალორიმეტრში. აღმოჩნდა, რომ შემთხვევათა გარკვეული რაოდენობა, რომლებსაც თან სდევდა შედარებით დიდი ენერგოგამოყოა კალორიმეტრში, არ არის დაკავშირებული რამდენადმე მნიშვნელოვანი ენერგიის ატმოსფერულ ღვართან, ან სულაც არ გააჩნია თანმდევი ატმოსფერული ღვარი. ჩატარებულია დამზერილი მოვლენის დაწვრილებითი ანალიზი. ნაჩვენებია რომ ეს მოვლენა სავსებით ბუნებრივად აიხსნება 1971 წელს ცნობილი მეცნიერის ა.ბ. მიგდალის მიერ შემოთავაზებული ბირთვულ გარემოში პიონური ბოზე–კოდენსაციის მოდელის ჩარჩოებში. მიღებული მონაცემები და მათი ანალიზი მოწმობს, რომ პიონური ბოზე–კონდენსაციის მოვლენას მართლაც შეაქვს რეალური წვლილი მაღალი ენერგიის ბირთვიბის ურთიერთქმედებებში. შედეგები შეჯამებულია სტატიაში [150] (იხ. შრომათა სია ქვემოთ).

4	**“პირველადი კოსმოსური სხივების მიერ ინიცირებული ფართე ატმოსფერული ღვარების სივრცე-დროითი კორელაციების შესწავლა შორ მანძილებზე განლაგებული მცირე სადგურების ქსელის საშუალებით” (2013-2018)** (ფიზიკა, კოსმოსური სხივების ფიზიკა)	**მანანა სვანიძე**	**იური ვერბეცკი ემა მაილიანი მზია ნიკოლაძე თეიმურაზ ხუსკივაძე**

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები

პირველადი კოსმოსური სხივების მიერ ინიცირებული ფართე ატმოსფერული ღვარების სივრცე-დროითი კორელაციების შესწავლა მიმდინარეობს პროექტ GELATICA (Georgian Large-area Angle and Time Coincidence Array) ფარგლებში. 2015 წლის სექტემბერში ინსტალირდა ქსელის მე-4 სადგური საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე. თბილისის ეს სადგური არსებულ ორ სადგურთან ერთად მათი ურთიერთგანლაგების საფუძველზე საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ ფართე ატმოსფერული ღვარის ენერგიის ქვედა საზღვარი, რომელიც კოსმოსური სხივების ზემაღალი ენერგიების არეში კვლევის ძალიან საინტერესო უბანია. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტში განლაგებულ სადგურზე 1 წლის განმავლობაში დაგროვილ მონაცემების - ატმოსფერული ღვარების მოსვლის მიმართულების კუთხური განაწილების ანალიზმა აჩვენა, რომ მიუხედავად არსებული აზიმუტალური ანიზოტროპიისა, ღვარების შთანთქმის ექსპონენციალური განაწილების ფუნქცია უზრუნველყოფს კუთხური განაწილების კარგ მიახლოვებას. ს შედეგები გამოქვეყნებულია სტატიაში [151] (იხ.ქვემოთ შრომების სია).

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

	მითითებით			
1	**„სივრცე-დროის სიმეტრიები ელემენტარულ ნაწილაკების ფიზიკასა და კოსმოლოგიაში: ახალი ასპექტები და გამოყენებები“ DI/12/6-200/13 (2014-2016)** (ფიზიკა, თეორიული ფიზიკა, ელემენტარულ ნაწილაკთა თეორია)	რუსთაველის ფონდი	არჩილ კობახიძე (სიდნეის უნი.) – ხელმძღვანელი ჯუანშერ ჩქარეული - თანახელმძღვანელი	ზურაბ კეპულაძე ჯუანშერ ჯეჯელავა ზურაბ თავართქილაძე (ილია სახ. უნი.)
დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (პროექტი იქნება დასრულებული 2016 წელს)				

I. 4.

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	**„სივრცე-დროის სიმეტრიები ელემენტარულ ნაწილაკების ფიზიკასა და კოსმოლოგიაშ ი: ახალი ასპექტები და გამოყენებები“ DI/12/6-200/13 (2014-2016)** (ფიზიკა, თეორიული ფიზიკა, ელემენტარულ ნაწილაკთა თეორია)	რუსთაველის ფონდი	არჩილ კობახიძე (სიდნეის უნი.) – ხელმძღვანელი ჯუანშერ ჩქარეული - თანახელმძღვანელი	ზურაბ კეპულაძე ჯუანშერ ჯეჯელავა ზურაბ თავართქილაძე (ილია სახ. უნი.)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები

1) ადრე შემოთავაზებულ 5D სუპერგრავიტაციულ მოდელში, საიდანაც აგებულ იქნა ნატურალური ინფლაცის სცენარი, დამატებით შესწავლილ იქნა რიგი საკითხებისა. კერძოდ ინფლატონის დაშლიდან სამყაროს გადახურების დეტალები. ნაჩვენებ იქნა რომ ინფლატონის ოსცილირების დროს არ ხდება მისი დაშლა მძიმე KKფერმიონულ და სკალარულ მოდებში. ეს იმას ნიშნავს რომ გამორიცხულია წინასწარი გადახურება (preheating). მაშასადამე, გადახურების ტემპერატურის პერტურბატული გამოთვლა, რომელიც ადრე იქნა ჩატარებული, სრულიად მისაღები და სანდოა. ამ დეტალების გამოკვლევის შემდეგ ნაშრომი გამოქვეყნებულ იქნა ჟურნალში [2].

2) დაბალ სკალიანი 5D თეორიების და მათი ფენომელოლოგიური გამოვლინებების შესწავლის კონტექსტში მნიშვნელოვანია გამოკვლეული იქნას გრავიტაციული ეფექტებიც და ასევე პირდაპირი ექსპერიმენტული შეზღუდვები. ჯ. ჯეჯელავა ატლასის კოლაბორაციაში ახორციელებს კვლევას ამ მიმართულებით. ნაშრომ [10-18]-ში განხორციელდა სტანდარტულ მოდელს მიღმა ახალი ფიზიკის ფაქტების ზებნა.შავი ხვრელისა და სიმის მოდელების გამოყენებით შესწავლილ იქნა მათი დაბადების და დაშლის პროცესები და ნაპოვნი იქნა ზღვრები გრავიტაციული სკალისათვის. მიღებული ზღვრები შესაძლოა ინტერპრეტირებულ იქნეს როგორც

ზღვარი შავი ხვრელისა და სიმის ქვედა მასაზე რომელიც მოთავსებულია 4.6 და 6.2 ტევ-ის არეში.
3) ზოგადად, ამ პროექტის ერთერთ ძირითად მოტივაციას წარმოადგენს იერერქიის პრობლემის გადაჭრა სტანდარტული მოდელის გაფართოებით და შემდეგ შესაბამისი ფენომენოლოგიის შესწავლა. ნაშრომ [7]-ში შემოთავაზებულ იქნა თვისობრივად ახალი დინამიური მექანიზმი, რომელიც ჭრის ელექტრო-სუსტი იერარქიის პრობლემას. ნაჩვენებია, რომ გრავიტაციული ინფრაწითელი ფლუქტუაციები იწვევენ ჰიგსის მასის სათანადო შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია ამ ნაწილაკის მასის ეკრანირებასთან, იმის მსგავსად როგორც ელექტროდინამიკაში ხდება ელექტრული მუხტის ინფრაწითელი ეკრანირება.

II. 1. პუბლიკაციები: ა) საქართველოში

II. 2. პუბლიკაციები: ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ-ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
[1]	J.L. Chkareuli Z. Kepuladze	Vector Goldstone Bosons from Extra Dimensions	Physics Letters (in press)	Elsevier Holland	10
[2]	F. Paccetti Correia M.G. Schmid Z. Tavartkiladze	Natural Inflation from 5D SUGRA and Low Reheat Temperature	Nucl. Phys. B898, 173 (2015)	Elsevier Holland	16
[3]	Ilia Gogoladze et al	Neutralinos and sleptons at the LHC in light of muon $(g-2)_\mu$	Phys.Rev. D92 (2015) 7, 075033	APS USA	18
[4]	Ilia Gogoladze et al	Yukawa Unification and Sparticle Spectroscopy in Gauge Mediation Models	Phys.Rev. D91 (2015) 9, 096005	APS USA	14
[5]	Ilia Gogoladze et a	GUT-inspired supersymmetric model for $h\to\gamma\gamma$ and the muon g-2	Phys.Rev. D91 (2015) 9, 095005	APS USA	15
[6]	M. Gogberashvili	Geometrical Applications of Split Octonions, .	Adv.Math.Phys. 2015 (2015) 196708	Hindawi India	11
[7]	A.Kobakhidze	Quantum relaxation of the Higgs mass	Eur. Phys. J. C75, 384 (2015)	Springer Germany	9
[8 - 149]	J.Jejelava A.Gongadze	ATLAS - კოლაბორაციასთან გამოქვეყნებული	Phys. Letters B (2015) Nucl. Physics B (2015)		

	E.Tskhadadze et al	ერთობლივი სტატიები (იხ. საიტზე http://inspirehep.net/search?ln=en&ln=en&p=f+a+jejelava%2C)	Eur. Phys. J. C (2015)	Springer Germany	
[150]	T.T.Barnaveli, T.T.Barnaveli (jr), N.A.Eristavi, I.V.Khaldeeva, A.P.Chubenko, N.M.Nesterova	On the events with high energy exposure in hadron calorimeter, not accompanied by EAS of cosmic rays,	Physics Letters B (in press).	Elsevier Holland	8
[151]	Yuri Verbertsky, Manana Svanidze, Ab. Iashvili, Levan Kakabadze	Extensive air showers' arrival direction distribution by TBS array	International Journal of High Energy Physics **2014** 1(4): 49-54	Science PG USA	5

ანოტაციები ქართულ ენაზე

[1]. ნაჩვენებია რომ დამატებითი სივრცე–დროის განზომილებები წარმოადგენენ ფოტონებთან და სხვა ყალიბურ ველებთან ასოცირებულ ვექტორული გოლდსტონური ბოზონების ბუნებრივ წყაროს.

[2]. ნაჩვენებ იქნა რომ ინფლატონის ოსცილირების დროს არ ხდება მისი დაშლა მძიმე KKფერმიონულ და სკალარულ მოდებში. ეს იმას ნიშნავს რომ გამორიცხულია წინასწარი გადახურება (preheating).

[3-5]. მნიშვნელოვანი ფიზიკური შედეგები დაკავშირებულია სუპერსიმეტრიის ძიების ფენომენოლოგიურ ანალიზთან და სხვადასხვა სუპერსიმეტრიული მოდელების შემოწმებასთან ახალ მონაცემენბთან დაკავშირებით მოპოვებულ უდიდეს ელემენტარულ ნაწილაკთა ამაჩქარებელზე LHC (CERN, Geneve).

[6]. გახლეჩილი ოქტონიონების თეორიის განვითარება.

[7]. შემოთავაზებულ იქნა თვისობრივად ახალი დინამიური მექანიზმი, რომელიც ჭრის ელექტრო-სუსტი იერარქიის პრობლემას. ნაჩვენებია, რომ გრავიტაციული ინფრაწითელი ფლუქტუაციები იწვევენ ჰიგსის მასის სათანადო შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია ამ ნაწილაკის მასის ეკრანირებასთან, იმის მსგავსად როგორც ელექტროდინამიკაში ხდება ელექტრული მუხტის ინფრაწითელი ეკრანირება.

[8-149]. ამ შრომებში, რომლებიც ჩატარებულია ATLAS –კოლაბორაციასთან ერთად (LHC, CERN, Geneve):

1) შესწავლილ იქნა ადრონული კალორიმეტრის მონაცემების ხარისხი (Data Quality). შემუშავდა მონაცემების სანდოობის კონტროლის რამოდენიმე კრიტერიუმი, რაც დადებითად აისახა კალორიმეტრის მიერ რეკონსტრუირებული ენერგიის სიზუსტეზე. დადგინდა სარეკონსტრუქციო ალგორითმების ყოფაქცევა სიგნალის გაზრდილი დასახლების პირობებში (out-of-time pileup);

2) განხორციელდა ახალი სარეკონსტუქციო მეთოდის შესწავლის COF (Constraint Optimal

Filtering), კალორიმეტრის დონეზე. მოხდა ალგორითმში გამოყენებული პარამეტრების შერჩევა LHC-ის მეორე გაშვების (RUN 2) სპეციფიკიდან გამომდინარე;
3) ჩატარდა ახალი ფიზიკის კომპლექსური ძიება: სუპერსიმეტრიისა, ტექნიფერისა, ექსტრა სივრცე-დროის განზომილებებისა, კვარკებისა და ლეპტონების შესაძლო კომპოზიტური ბუნებისა და სხვა.

[150]. ექსპერიმენტული მასალის ანალიზს საფუძვლად დაედო ატმოსფეროში ელექტრომაგნიტური კასკადების (ე.წ. ფართე ატმოსერული ღვარები) არა პირველადი ენერგია, რაც წარმოადგენს ტრადიციულ მიდგომას, არამედ ადრონული კომპონენტის ენერგოგამოყოფა დანადგარის იონიზაციურ კალორიმეტრში. აღმოჩნდა, რომ შემთხვევათა გარკვეული რაოდენობა, რომლებსაც თან სდევდა შედარებით დიდი ენერგოგამოყოფა კალორიმეტრში, არ არის დაკავშირებული რამდენადმე მნიშვნელოვანი ენერგიის ატმოსფერულ ღვართან, ან სულაც არ გააჩნია თანმდევი ატმოსფერული ღვარი.

[151]. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტში განლაგებულ სადგურზე 2015 წლის განმავლობაში დაგროვილ მონაცემებით - ატმოსფერული ღვარების მოსვლის მიმართულების კუთხური განაწილების ანალიზმა აჩვენა, რომ მიუხედავად არსებული აზიმუტალური ანიზოტროპიისა, ღვარების შთანთქმის ექსპონენციალური განაწილების ფუნქცია უზრუნველყოფს კუთხური განაწილების კარგ მიახლოვებას.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

III. 2. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Juansher Jejelava	Jet reconstruction with COF and OF2 (მოხსენება სემინარზე)	28/10/2015, CERN, Geneve http://indico.cern.ch/event/437290/contribution/0
2	Juansher Jejelava	Status of MC15 reconstruction (მოხსენება სემინარზე)	22/07/2015, CERN, Geneve http://indico.cern.ch/event/385203/contribution/2
3	Juansher Jejelava	Public plots: Energy reconstruction COF performance (მოხსენება სემინარზე)	23/02/2015, CERN, Geneve http://indico.cern.ch/event/364991/contribution/6
4	Juansher Chkareuli (2016 წელს მიწვეულია	Emergent Standard Model: Consequences and Perspectives	International Conference "New Physics at the Large Hadron Collider" (Feb 29-

	საერთაშორისო კონფერენციაზე პლენარული მოხსენებით)		March 4, 2016, Singapore). http://www.ntu.edu.sg/ias/upcomingevents/NPLHC/Pages/default.aspx)

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

1-3. ეს მოხსენებები ATLAS –კოლობორაციის სემინარებზე დაკავშირებულია ჯუანშერ ჯეჯელავას პერსონალურ წვლილთან ამაჩქარებელ LHC-ის ადრონული კალორიმეტრის მონაცემების ხარისხის მკვეთრ გაუბჯობესებაში.

4. მოხსენება შეიცავს ძირითადათ საქართველოში განვითარებულ ე.წ. წარმოშობილი ყალიბური თეორიების მიმოხილვას - დაწყებული ტრადიციული კვანტური ელექტროდინამიკით და განზოგადოებული ელემენტარულ ნაწილაკთა სტანდარტულ მოდელამდე, მათ შორის სუპერსიმეტრიისა და ექსტრა განზომილებიან სივრცე-დროის ფარგლებში.

კონდენსირებულ გარემოთა ფიზიკის განყოფილება

განყოფილების გამგე,

აკადემიკოსი გიორგი ჯაფარიძე

განყოფილების წევრი მეცნიერი თანამშრომლები:

№	გვარი სახელი	თანამდებობა	ხარისხი
1	ჯაფარიძე გიორგი	გან.გამ/მთ.მ.თ.	ფ.მ.მეცნიერებათა დოქტორი
2	კვაჭაძე ვახტანგი	მთ.მეცნ.თან.	ფ.მ.მეცნიერებათა დოქტორი
3	მამნიაშვილი გრიგოლი	მთ.მეცნ.თან.	ფ.მ.მეცნიერებათა დოქტორი
4	ნერსესიანი ალექსანდრე	მთ. მეცნ.თან.	ფ.მ.მეცნიერებათა დოქტორი
5	რატიშვილი იოსები	მთ.მეცნ.თან.	ფ.მ.მეცნიერებათა დოქტორი
6	ჩიღვინაძე ჯაბა	მთ.მეცნ.თან.	ფ.მ.მეცნიერებათა დოქტორი
7	ხარაძე გიორგი	მთ.მეცნ.თან.	ფ.მ.მეცნიერებათა დოქტორი
8	ზვიადაძე მიხეილი	მთ.მეცნ.თან.	ფ.მ.მეცნიერებათა დოქტორი
9	შენგელაია ალექსანდრე	მთ.მეცნ.თან.	ფ.მ.მეცნიერებათა დოქტორი
10	გალუსტაშვილი მაყვალა	უფრ.მეცნ.თ.	ფ.მ.მეცნ. კანდიდატი
11	ახვლედიანი ზაირა	უფრ.მეცნ.თ.	ფ.მ.მეცნ. კანდიდატი
12	ახვლედიანი იოსები	უფრ.მეცნ.თ.	ფ.მ.მეცნ. კანდიდატი
13	ბარამიძე გიორგი	უფრ.მეცნ.თ.	ფ.მ.მეცნიერებათა დოქტორი
14	აშიმოვი საბირი	უფრ.მეცნ.თ.	ფ.მ.მეცნ. კანდიდატი
15	ნადარეიშვილი მალხაზი	უფრ.მეცნ.თ.	ფ.მ.მეცნ. კანდიდატი
16	სურამლიშვილი ნუგზარი	უფრ.მეცნ.თ.	ფ.მ.მეცნ. კანდიდატი
17	ყალაბეგიშვილი თამაზი	უფრ.მეცნ.თ.	ფ.მ.მეცნ. კანდიდატი
18	შარიმანოვი იური	უფრ.მეცნ.თ.	ფ.მ.მეცნ. კანდიდატი
19	წაქაძე სევერიანი	უფრ.მეცნ.თ.	ფ.მ.მეცნ. კანდიდატი
20	ტყეშელაშვილი ლაშა	უფრ.მეცნ.თ.	ფიზ. აკადემიური დოქტორი
21	აბრამიშვილი მერი	უფრ.მეცნ.თ.	ფ.მ.მეცნ. კანდიდატი
22	წულაია მურმანი	უფრ.მეცნ.თ.	ფ.მ.მეცნ. კანდიდატი
23	დრიაევი დიმიტრი	უფრ.მეცნ.თ.	ფ.მ.მეცნ. კანდიდატი

24	ჯაყელი გიორგი	უფრ.მეცნ.თ.	ფ.მ.მეცნ. კანდიდატი
24	**ახალკაცი ანატოლი**	უფრ.მეცნ.თ.	ფ.მ.მეცნიერებათა დოქტორი
26	სექანია მიხეილ	უფრ.მეცნ.თ.	ფიზ. აკადემიური დოქტორი
27	**აკოფოვი ფელიქსი**	მეცნ.თან.	ფ.მ.მეცნ. კანდიდატი
28	**არაბაჯიანი ნორაირი**	მეცნ.თან.	ფ.მ.მეცნ. კანდიდატი
29	ჯანჯალია მედეა	მეცნ.თან.	ფ.მ.მეცნ. კანდიდატი
30	კვირიკაძე ალექსანდრე	მეცნ.თან.	ფ.მ.მეცნ. კანდიდატი
31	გეგეჭკორი ტატიანა	მეცნ.თან.	ფ.მ.მეცნ. კანდიდატი
32	მაღრაძე ომარი	მეცნ.თან.	ფ.მ.მეცნ. კანდიდატი
33	დეკანოზიშვილი გურამი	მეცნ.თან.	ფ.მ.მეცნ. კანდიდატი
34	თავხელიძე ვალერი	მეცნ.თან.	ფ.მ.მეცნ. კანდიდატი
35	ზედგინიძე თინათინი	მეცნ.თან.	–
36	მაჩაიძე თეიმურაზი	მეცნ.თან.	–
37	შერმადინი ზურაბი	მეცნ.თან.	ფიზ. აკადემიური დოქტორი
38	დონაძე გიორგი	მეცნ.თან.	ფიზ. აკადემიური დოქტორი
39	ავალიშვილი ნიკოლოზი	მეცნ.თან.	–
38	რეხვიაშვილი ამირანი	უფრ. ინჟინერი	–
39	ლეფსვერიძე რევაზ	ინჟინერი	–
40	პეტრიაშვილი თამარი	ინჟინერი	–
41	დვალი გია	უფრ.ლაბ.	–
42	ჭელიძე ლია	ინჟინერი	ფ.მ.მეცნ. კანდიდატი

შემაჯამებელი ინფორმაცია:

კვლევების ძირითადი თემატიკა:

1. **კონდენსირებულ გარემოთა თეორია**
2. **რეალური კრისტალების თვისებების კვლევა**
3. **ზეგამტარი მასალების თვისებების კვლევა**
4. **მაგნიტური მოვლენების ფიზიკა**

2015 განყოფილებაში შესრულებული შრომები: -

გამოქვეყნებულია - 41 სტატია

გაგზავნილია გამოსაქვეყნებლად - 14 სტატია

2015 განყოფილებაში სრულდებოდა 15 საგრანტო პროექტი

2015 განყოფილების წევრთა კონფერენციებში მონაწილეობა – 19 მონაწილე

1. კონდენსირებულ გარემთა თეორია

1.1 საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	აეროგელის (პოლიმერული ჯაჭვების ხლართის) თანდასწრებით ^{3}He-ის ახალი სტრუქტურის მქონე ზედენადი ფაზების თეორიული კვლევა	**გიორგი ხარაძე**	**გიორგი ხარაძე** **გიორგი ბარამიძე**

გარდამავალი კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი შედეგები

1. ბოლო დროის აქტიური ექსპერიმენტული და თეორიული კვლევების მიზანია ე.წ. აეროგელის (პოლიმერული ჯაჭვების ხლართის) თანდასწრებით ^{3}He-ის ახალი სტრუქტურის მქონე ზედენადი ფაზების სტაბილიზაცია, რომლებიც ღია გეომეტრიის პირობებში არამდგრადნი არიან. მათ შორის არის ზედენადი პოლარული ფაზა, რომელიც გლობალურად დეფორმირებული აეროგელის თანდასწრებით მდგრადი უნდა გამხდარიყო. ეს დასკვნა თეორიული გამოკვლევების შედეგად იქნა მოპოვებული.

ზედენადი პოლარული ფაზის აღმოჩენის მიზნით ჩატარებულმა ექსპერიმენტება, რომლებიც იმპულსური ბირთვული მაგნიტური რეზონანსის მეთოდით განხორციელდნენ, მიანიშნებდნენ სტაბილური პოლარული ფაზის არსებობაზე. ამავე დროს გაირკვა, რომ მიღებული ექსპერიმენტული მონაცემები კარგად აღწერდნენ განსხვავებული სტრუქტურის მქონე ზედენად ABM ფაზას.

ჩვენი თეორიული გამოკვლევების მიზანი იყო იმგვარი ახალი ტიპის ექსპერიმენტების ძიება, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ პოლარული და ABM ფაზების დისკრიმინაციისა. ჩვენ შევისწავლეთ მაღალსიხშირული ოსცილაციების სპექტრები როგორც პოლარულ, ასევე ABM ზედენად ფაზებში. გაირკვა, რომ ეს სპექტრები მნიშვნელოვნად განსხვავებულნი არიან ხსენებული ფაზებისათვის, რაც შეიძლება გამოყენებული იქნას მათი ექსპერიმენტული განცალებისათვის.

ზემოხსენებული შედეგები ქვეყნდება (გიორგი ბარამიძესთან თანაავტორობით):

G.A. Baramidze and G.A Kharadze, “Behaviour of Superfluid ^{3}He Polar and ABM Phases in Presence of Globally Stretched Aerogel “ Bull. Georg. Nat. Acad. Sci.Vol.9,no.3, 2015

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ლითონ-წყალბადის ნაერთებში წყალბადის მოწესრიგებული ფაზების თეორიული კვლევა.	**იოსებ რატიშვილი**	**იოსებ რატიშვილი** **ნათელა ნამორაძე**

გარდამავალი კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი შედეგები

1. კვლევის ობიექტს წარმოადგენდა ცერიუმ-წყალბადის მოწესტიგებადი ჩანერგვითი მყარი ხსნარები, მაგრამ მიღებული შედეგები ეხება ზოგადად მოწესრიგების ორი პარამეტრის მქონე ორკომპონენტიან სისტემებს.

ადრე ჩვენს მიერ ნაჩვენები იყო, რომ წესრიგის ორი პარამეტრის მქონე სისტემაში გარკვეულ პირობებში არსებობს დაბალტემპერატურული არე, სადაც ტემპერატურის დაწევა იწვევს წესრიგის ერთ-ერთი პარამეტრის სიდიდის კლებას (რაც თითქოს ეწინააღმდეგება საყოველთაოდ აღიარებულ ზოგად დებულებას, რომ „ტემპერატურის დაწევისას წესრიგის დონე იზრდება’). ამასთან დაკავშირებით ჩატარდა დეტალური რიცხვითი გამოთვლები, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა შემდეგი დასკვნების გაკეთება:

ა) ორ-პარამეტრიან მოწესრიგებად ნაერთს კონცენტრაციის სხვადასხვა ინტერვალებში ახასიათებს ზღვრული დაბალტემპერატურული წონასწორული სხვადასხვა მდგომარეობების არსებობა. თუ მოწესრიგების პროცესში გარკვეულ ტემპერატურებზე წონასწორული ხდება მდგომარეობა, რომლის მახასიათებელი ორი წესრიგის პარამეტრიდან ერთ-ერთი ღებულობს შესაბამი ზღვრული მდგომარეობის მახასიათებელ პარამეტრზე დიდ მნიშვნელობას, მაშინ ტემპერატურის შემდგომი დაწევისას ის აღწევს თავის მაქსიმუმს და შემდეგ იწყებს კლებას. წესრიგის მეორე პარამეტრი ამ დროს მონოტონურად იზრდება. ამის შედეგად ყალიბდება მდგომარეობა, როცა წესრიგის პარამეტრის ერთ მნიშვნელობას შეესაბამება წესრიგის მეორე პარამეტრის ორი სხვადასხვა მნიშვნელობა T_1 და T_2 ტემპერატურებზე. ბუნებრივად იბადება კითხვა -

რამდენად ცალსახა მდგომარეობაშია მოწესრიგებადი სისტემა $[T_1,T_2]$ ტემპერატურულ ინტერვალში. ეს საკითხი მოითხოვს ექსპერიმენ–ტალურ შემოწმებას.

ბ) სისტემის საერთო მოწესრიგებულობის დონის დასახასიათებლად სასურველია შეირჩეს ისეთი რიცხვითი პარამეტრი, რომელიც მონოტონურად იცვლება ტემპერატურების მთელს ინტერვალში - წესრიგი-უწესრიგობის გადასვლის წერტილიდან აბსოლუტურ ნულამდე. ჩვეულებრივად წესრიგის დინის დასახასიათებლად ასეთ პარამეტრებად ვირჩევთ სიდიდეებს, რომლებიც ასახავენ „უწესრიგობის მდგომარეობიდან“ გადახრას. ჩვენს მიერ განხილულ სისტემაში მოწესრიგების პარამეტრებიდან შედგენილი ალგებრული გამოსახულებები ტემპერატურის ცვლილებისას მონოტონურად არ იცვლებიან და ამდენად სისტემაში ჩამოყალიბებულ მოწესრიგების საერთო დონეს ადექვატურად ვერ ასახავენ.

ჩვენს მიერ წესრიგის საერთო დონის დასახასიათებლად შემოღებულ იქნა ახალი მახასიათებელი **პარამეტრი**, რომელიც ასახავს **გადახრას მოწესრიგებული ზღვრული დაბალტემპერატურული მდგომარეობიდან**. ასეთი პარამეტრი პრაქტიკულად დაახასიათებს სისტემის „მოუწესრიგებლობის დონეს“ და შეიძლება განიმარტოს, როგორც მანძილი დაბალტემპერატურული ზღვრული წერტილიდან მოცემულ ტემპერატურაზე არსებულ წონასწორული მდგომარეობის ამსახველ წერტილამდე. მთელი რიგი მაგალითებიდან გაირკვა, რომ რეალურ სისტემებში ასეთნაირად განმარტებული სიდიდე იცვლება ტემპერტურის მონოტონური ცვლის პირობებში.

2. ლითონ-წყალბადის სისტემების თეორიული შესწავლის მეორე ასპექტი იყო ლითონის მესერში ჩანერგილი წყალბადის ატომების ძვრადობის დახასითება. სისტემის სითბოტევადობის მსგავსად შემოვიღეთ მესერში ჩანერგილი ნაწილაკების წონასწორული განლაგების ცვლილების ტემპერატურული პარამეტრები. ისინი ახასიათებენ მესერში სხვადასხვა ტიპის კვანძებს შორის ნაწილაკების გადანაწილების ტემპერატურაზე დამოკიდებულ ნაკადებს. ზემოხსენებული ორივე პრობლემის შესწავლისას მიღებული მასალა მზადდება გამოსაქვეყნებლად.

3. წყალბადის გავლენა ლითონის შენადნობების მაგნიტურ თვისებებზე შეადგენდა ჩვენი თეორიული ანალიზის მესამე ასპექტს. შესაბამისი შედეგები მოხსენებული იყო საერთაშორისო კონფერენციაზე 2014 წელს და 2015 წელს გამოქვეყნდა ნაშრომში:

Ioseb Ratishvili, Natela Namoradze. “Switchable Magnetic Properties of Hydrogenated Metal Alloys”. *Progress in Clean Energy* (Eds. I.Dincer, C.O.Colpan, O.Kizilkan, M.A.Ezan), Springer International Publishing, Switzerland. *Vol.* 1, *Chapt.* 55, 751-761 (2015).

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	დაბალგანზომილებიან სისტემებში მაიორანა ფერმიონების ნულოვანი მოდებით გამოწვეული სასაზღვრო ეფექტები	**ალექსანდრე ნერსესიანი**	**ალექსანდრე ნერსესიანი**

გარდამავალი კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი შედეგები

ნაჩვენებია, რომ ერთგანზომილებიანი p-ტიპის ზეგამტარების ტოპოლოგიურ ფაზებში და კვანტური იზინგის სპინურ ჯაჭვებში გარკვეული ტიპის მინარევები იწვევენ ორარხიანი კონდო-ეფექტის ანალოგიურ თერმოდინამიურ ანომალიებს. ხასგასმულია, რომ ასეთი ანომალიები ცალსახად მიუთითებენ ლოკალიზებული მაიორანას ტიპის ნულოვანი მოდების არსებობას.

მომზადებულია პუბლიკაცია: A.A.Nersesyan and M.Mueller, "Classical impurity spins and boundary Majorana zero modes in quantum chains" (გაგზავნილია გამოსაქვეყნებლად).

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	დაბალგანზომილებუანი ძლიერად კორელირებული ელექტრონული და სპინური სისტემების თვისებები	**გიორგი ჯაფარიძე**	გიორგი ჯაფარიძე გიორგი ჯაყელი ლაშა ტყეშელაშვილი მიხეილ სექანია ნიკო ავალიშვილი

გარდამავალი კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი შედეგები

1. თეორიულად შესწავლილია ერთგანზომილებიანი ნახევრად–შევსებული სპინ–ასიმეტრული ჰაბარდის მოდელის განზოგადებული ვერსია ლუწ და კენტ კვანძებზე განსხვავებული ურთიერთქმედებისა და იონური პოტენციალის შემთხვევაში. კვანძზე ძლიერი განზიდვის შემთხვევაში აგებულია ეფექტური სპინური ჰამილტონიანი. ნაჩვენებია, რომ ძლიერი განზიდვისას სისტემის მაგნიტური თვისებე აღიწერება ალტერნირებულ მაგნიტურ ველში მოთავსებულუ სპინ S=1/2 ანიზოტროპული ჰაიზენბერგის ჯაჭვის ჰამილტონიანით. ნაჩვენებია, რომ ალტერნირებული მაგნიტური ველის ამპლიტუდა ნულის ტოლია, როგორც ერთგვაროვანი იონური პოტენციალის შემთხვევაში, ასევე სპინური სიმეტრიის აღდგენის (გადახტომატა ამპლიტუდების გატოლების) შემთხვევაშიც.

გამოქვეყნებულია სტატია: Inna Grusha, Micheil Menteshashivi and G.I. Japaridze

"Effective Hamiltonian for a half-filled asymmetric ionic Hubbard chain with alternating on-site interaction", ArXiv/1506.06109 Int. Joir. Mod. Phys. A (2016)

2. ნაჩვენებია, რომ სინგლეტური (s–ტიპის) ზეგამტარის ზედაპირზე მოთავსებულ ნახევარგამტარულ კვანტურ მავთულში, ძლიერი ელექტრონ–ელექტრონული და სპინ–ორბიტული ურთიერთქმედების პირობებში შესაძლებელია სათანადოდ შერჩეული სივრცულად მოდულირებული გარეშე ელექტრული პოტენციალის ზემოქმედებით,

ჩამოყალიბდეს p–ტიპის ზეგამტარი მდგომარეობა. აგრეთვე ნაჩვენებია, რომ ინდუცირებული p–ზეგამტარ ფაზის აღგზნების სპექტრი ხასიათდება მავთულის ბოლოებზე ლოკალიზებული ნულოვანი ენერგიის მქონე ორი მაიორანას მოდის არსებობით.

მომზადებულია პუბლიკაცია Malard,Mariana, George I. Japaridze and Henrik Johannesson, "*Synthesizing Majorana zero-energy modes in a periodically gated quantum wire*", ArXiv/1512.00827 (გაგზავნილია გამოსაქვეყნებლად).

3. შესწავლილია ორგანზომილებიან სამკუთხა მესერზე განმარტებული სპინური სისტემის ძირითადი მდგომარეობის თვისებები, ბმაზე დამოკიდებული იზინგის ტიპის სპინური გაცვლის შემთხვევაში. ნაჩვენებია, რომ კლასიკურ ზღვარში სისტემის ძირითადი მდგომარეობა მოიცემა განცალკევებული იზინგის–ტიპის ჯაჭვების ტერმინებში. შესწავლილია კლასიკური სურათის კვანტური შესწორება გამოწვეული ე.წ. წესრიგი–უწესრიგობიდან მექანიზმით. ნაჩვენებია, რომ კვანტურ სურათში ადგილი აქვს ჯაჭვების გადაბმას ეფექტური ოთხსპინიანი ურთიერთქმედებით, რომელიც უახლოესის შემდგომ მყოფ ჯაჭვებს აკავშირებს ერთმანეთთან, მაშინ როცა უახლოეს მეზობელი ჯაჭვები ერთმანეთთან არ ურთიერთქმედებენ.

გამოქვეყნებულია სტატია: George Jackeli, Adolfo Avella, "Quantum order by disorder in the Kitaev model on a triangular lattice" Phys. Rev. B 92, 184416 (2015)

4. შესწავლილია მაგნიტური წესრიგის კვანტური დინამიკა ერთგანზომილებიანი ქირალური მულტიფეროიკის სისტემისთვის. განხილულია სისტემის შეშფოთების ორი სცენარი: ულტრამოკლე ტერაჰერცული სიხშირის აღგზნებების გენერაციოს გზით ან ელექტრული ველის მკვეთრი ჩართვა/გამორთვის საშუალებით. ანალიტუტი გამოთვლებისა და სასრული (40 სპინამდე) სისტემების ზუსტი რიცხვი დიაგონალიზაციის მეთოდის გამოყენებით შესწავლილია სისტემის ქირალობის, ფონ ნეიმანის ენტროპიისა და ორ– და მრავალნაწილა–კოვანი ტალღური ფუნქციების გადახლართვის (ენტალგმენტის) დინამიკა ხსენებულ პირობებში. ნაჩვენებია, რომ სასურველი დინამიკური გადასვლების სისტემაში გენერაცია სესაძლებელია ელექტრული ველის სათანადო იმპულსების გამოყენებით.

მომზადებულია პუბლიკაცია: M. Azimi, M. Sekania, Sunil K. Mishra, L. Chotorlishvili, Z. Toklikishvili, and J. Berakdar "Pulse and quench induced dynamical transition in a chiral multiferroic spin chain"

5. განზოგადებული ვარიაციული მეთოდის გამოყენებით შესწავლილია საწყის მომენტში დეფორმირებული არაწრფივი კლაინ-გორდონის განტოლების კინკის ტიპის ამონახსნების რელაქსაციის პროცესი. კერძოდ, ნაჩვენებია რომ სინუს-გორდონის მოდელის ანალოგიურად, აკრძალული ზონა წრფივი აღგზნებების სპექტრში იწვევს არამარკოვისეულ ეფექტებს. თუმცა სინუს-გორდონის განტოლებისაგან განსხვავებით კლაინ-გორდონის განტოლება არაინტეგრებადია და კინკის ფონზე წრფივი ტალღებისათვის არსებობს დისკრეტული დონე. შესაბამისად არამარკოვისეული რელაქსაციის პროცესები იწვევენ კინკისა და წრფივი ტალღების ნამდვილი (და არა ფსევდო-დონის, როგორც ეს სინუს-გორდონის მოდელის შემთხვევაშია) სტაციონარული ბმული მდგომარეობის

ჩამოყალიბებას.

მომზადებულია პუბლიკაცია: L. Theshelashvili "Non-Markovian dynamics of kinks in the nonlinear Klein-Gordon model".

6, განვითარებულია აკრძალული ზონების მქონე ფოტონურ სისტემებში ორი ორდონიანი ატომის ურთიერთქმედების კლასიკური მოდელი. კერძოდ, შემოთავაზებული სისტემა წარმოადგენს ორ ჰარმონიულ ოსცილატორს რომლებიც დაკავშირებულია დრეკად გარემოში მოთავსებული სიმის მეშვეობით. ნაჩვენებია რომ ეს სისტემა აკრძალული ზონების მქონე ფოტონურ სისტემებში ორი ორდონიანი ატომის ურთიერთქმედების არამარკოვისეული დინამიკის ეფექტურად მოდელირების საშუალებას იძლევა. შესაბამისად, შესაძლებელია ორდონიანი ატომების დინამიკის კლასიკური ანალოგის ექსპერიმენტული რეალიზაცია.

მომზადებულია პუბლიკაცია: L. Theshelashvili "Classical model for interaction of two two-level atoms in photonic band gap materials".

I.2. ადგილობრივი და საერთაშორისო გრანტებით დაფინანსებული პროექტები.

2015–2018 წ.წ. (ფუნდამენტური).
რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი **N** FR/265/6-100/14
"კვანტური ჯგუფი და ტოპოლოგიურად არატრივიალური მდგომარეობები დაბალგანზომილებიან ფერმიონულ სისტემებში"
სამეცნიერო ხელმძღვანელი: გ. ციციშვილი (რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი)
შემსრულებელი: გ. ჯაფარიძე

I.3. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ალექსანდრე ნერსესიანი

1. **Conference on Frontiers of Nanoscience**, 24.08-01.09.2015
   ICTP, Trieste, Italy. **Chairperson**.

2. **Conference on Frustration, Disorder and Localization**,
   28 Sep 2015 - 2 Oct 2015, ICTP, Trieste, Italy. Participant.

გიორგი ჯაფარიძე

3. **"New Phases and Emergent Phenomena in Correlated Materials with Strong Spin-Orbit Coupling".** Jul 13, 2015 - Oct 9, 2015 UC Santa Barbara, Kavli Institute for Theoretical Physics **Coordinator**

გიორგი ჯაფარიძე

4. Workshop: "**Quantum Transport in One Dimension**" 14 - 18 September 2015 Max-Plank Institute for Physics of Complex Systems, Dresden. Participant.

II. რეალური კრისტალების ოპტიკური და მექანიკური თვისებების კვლევა

თემა: დიელექტრიკულ და ლითონ შენაერთებში გარე ველების ზემოქმედებით გამოწვეული მოვლენების ფუნდამენტური გამოკვლევა ახალი მასალების შექმნის მიზნით

მიმართულება: ექსპერიმენტალური კონდენსირებულ გარემოთა ფიზიკა

ხელმძღვანელი: ფიზ. მათ. მეცნიერებათა დოქტორი **ვახტანგ კვაჭაძე**

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ნომინალურად სუფთა და მინარევის შემცველი იონური კრისტალების ახალი ოპტიკო-მექანიკური თვისებების ფორმი–რება და კომპლექსური კვლევა მყარი ტანის ექსპერიმენტული ფიზიკა	ფიზ. მათ. მენიერებათა დოქტორი **ვახტანგ კვაჭაძე**	მ. აბრამიშვილი, ზ. ახვლედიანი, ი. ახვლედიანი, მ. გალუსტაშვილი, დ. დრიაევი, თ. ყალაბეგიშვილი, გ. დეკანოზიშვილი
მრავალწლიანი კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი შედეგები			

1. გამოკვლეულია კერამიკული შპინელის (MgOAl2O3:1,0 wt.% LiF) ოპტიკური და პარამაგნიტური შთანთქმის სპექტრები დაბალი ინტენსივობის გამა- (Co60, 0,04 Gy/s, თბილისი) და ნეიტრონები პლუს გამა- (1x1013-1x1015 ნ/სმ2, სევასტოპოლი) გამოსხივების ზემოქმედების შემდეგ. იზომებოდა აგრეთვე მაღალტემპერატურული თერმოსტიმულირებული ლუმინესცენცია. გამა დასხივებულ ნიმუშებისთვის დაიმზირა სუსტი ოპტიკური შთანთქმა სპექტრის ხილულ არეში და მასთან კორელაციაში მყოფი ეპრ სიგნალი (g = 2,0174 ± 0,0005 G, ხაზის სიგანე 46,1 ± 1,5 G). ეს ხვრელური ცენტრებისა და მინარევული იონების კომპლექსური მოქმედების შედეგი უნდა იყოს.

2. რეაქტორში დასხივებული ნიმუშების ოპტიკური და პარამაგნიტური შთანთქმის სპექტრებში არაა შემჩნეული F+ ცენტრების არსებობა (მაქსიმალური ფლუენსი 2x1015 ნ/სმ2), არც დასხივებისა და არც საფეხუროვანი პოსტრადიაციული გამოწვის შემდეგ. სპექტრის UV უბანში დაიმზირა მხოლოდ სიმეტრიული F ზოლი. გამა- და რეაქტორში დასხივებული ნიმუშებისათვის ეპრ ზოლები ერთნაირი ბუნებისაა და გამოწვეული უნდა იყოს ერთიდაიგივე პარამაგნიტური ცენტრებით.

შედეგი, რომელიც ასახავს ეპრ ზოლის ინტენსივობის წრფივ დამოკიდებულებას ოპტიკური F ზოლის ინტენსივობაზე, იწვევს პრაქტიკულ (დოზიმეტრიულ) ინტერესს სწრაფი ნეიტრონების ნაკადების შესაფასებლად, რაც მომავალში სპეციალურ კვლევას მოითხოვს.
.

2	**სუსტი ელექტრომაგნიტური ველების ზეგავლენა არამაგნიტური მყარი სხეულების მექანიკურ თვისებებზე** მყარი ტანის ექსპერიმენტული ფიზიკა	**ფიზ. მათ. მენიერებათა კანდიდატი დიმიტრი დრიაევი**	მ. გალუსტაშვილი, ზ. წაქაძე, ფ. აკოფოვი

მრავალწლიანი კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი შედეგები

1. კვლევის მიზანია – მყარი სხეულების მექანიკურ თვისებებზე სპინ-დამოკიდებული მიკროსკოპული პროცესების ზეგავლენის შესწავლა, რაც განხორციელდება ახლად შექმნილი ADMR (Acoustic Detected Magnetic Resonance) დანადგარის საშუალებით: გაიზომება მასალების შინაგანი ხახუნი და დრეკადობის მოდული ჯვარედინა მაგნიტურ ველებში (იგულისხმება მუდმივი და ცვლადი ველები ეპრ სქემაში). ADMR-ი წარმოადგენს ინსტიტუტში ადრე შექმნილი აკუსტიკური სპექტრომეტრის (DD) მოდერნიზაციის შედეგს, რაც დასრულდა საანგარიშო პერიოდში. ჩატარებული გამოცდების შედეგად ADMR სპექტრომეტრისთვის დადგენილ იქნა შემდეგი ძირითადი მახასიათებლები:

- მექანიკური რხევების სიხშირეთა დიაპაზონი – 0,2-10 კჰც;

- შინაგანი ხახუნის გაზომვის დიაპაზონი – 10-6-10-1;
- მუდმივი მაგნიტური ველის ინდუქცია – Bmax = 30 მტ;
- ცვლადი მაგნიტური ველის სიხშირე – f = 0,5-10 მგჰც.

ამ საკითხთან დაკავშირებით საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა მუშაობა ერთი ადგილობრივი და ერთი საზღვარგარეთული გრანტის ფარგლებში.

2. შესწავლილია აგრეთვე მაგნიტური ველის ზემოქმედება კრისტალების პოლარიზაციაზე მიკროინდენტირების პირობებში. ნაჩვენებია, რომ სუსტი მაგნიტური ველის მოქმედებამ მკვეთრად გაზარდა თავისუფალი კათიონური ვაკანსიების რაოდენობა საკვლევ ნიმუშში.

3	**წყალბადის (დეითერიუმის) შემცველი შენაერთების თეორიული და ექსპერიმენტული კვლევა** მყარი ტანის ფიზიკა	**ფიზ. მათ. მენიერებათა დოქტორები ვ. კვაჭაძე, ი. რატიშვილი**	ზ. ახვლედიანი, ი. ახვლედიანი, ნ. არაბაჯიანი, ვ. თავხელიძე

მრავალწლიანი კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი შედეგები

1. გრძელდებოდა აუსტენიტ-მარტენსიტული ტიპის ფაზური გადასვლის კვლევები ფორმის მეხსიერების მქონე ჰიდრირებულ შენადნობებში (მაღალსიხშირული აკუსტიკური სპექტრომეტრი). აღმოჩნდა, რომ წყალბადისა და დეითერიუმის ერთსა და იგივე მესერზე ზემოქმედება საკმაოდ განსხვავებულია. ეს გარკვეულ საფუძველს ქმნის კვლევების გაფართოვებისა და ამ მოვლენების ანალიტიკური შესწავლისთვის. დამუშავებული და აგებულ იქნა დაბალსიხშირული აკუსტიკური სპექტრომეტრი, რომელიც საშუალებას მოგვცემს შევისწავლოთ ნიმუშების მექანიკური რხევების გრძელტალღოვანი კომპონენტები.

2. გრძელდებოდა LiF:OH კრისტალებში სუფთა გამა და რეაქტორის შერეული გამოსხივებით ინდუცირებული წყალბადის კვლევები. გაკეთდა სრული ანალიზი, რა გავლენას ახდენს დასხივების ტემპერატურა, შთანთქმული რადიაციის დოზა, ნიმუშებში მინარევების შემცველობა კვანძთაშორისი წყალბადის უარყოფითი იონების ლოკალურ რხევებზე. პარალელურად შეისწავლებოდა (EPR) წყალბადის ატომების დაგროვება სხვადასხვა პირობებში დასხივებული ნიმუშებისთვის. შედეგები მოხსენებული იქნა საერთაშორისო კონფერენციაზე (თბილისი, 20-24 აპრილი 2015).

3. გამოკვლეულ იქნა რადიაციისა და მექანიკური ძაბვების ერთობლივი ზემოქმედება წყალბადის ლოკალურ რხევებზე

4	**ახალი მასალების დამუშავება, შექმნა და კომპლექსური გამოკვლევა**	**ფიზ. მათ. მენიერებათა**	მ. აბრამიშვილი, მ. გალუსტაშვილი,

	მყარი ტანის ექსპერიმენტული ფიზიკა	**დოქტორი ვახტანგ კვაჭაძე**	დ. დრიაევი, თ. ყალაბეგიშვილი, ზ. წაქაძე, ფ. აკოფოვი, ნ. არაბაჯიანი, გ. დეკანოზიშვილი, ვ. თავხელიძე

მრავალწლიანი კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი შედეგები

1. ცხელი დაწნეხის მეთოდით მიღებული იქნა (სტაბილური იზოტოპების ინსტიტუტი) საკვლევი კერამიკული კომპოზიტები (BCZ3 და BCZ5) ბორის კარბიდის საფუძველზე. ნიმუშების გამოჭრისა და მექანიკური დამუშავების შემდეგ განხორციელდა მათი კომპლექსური შესწავლა. მიღებული შედეგები მოყვანილია ცხრილში 1. აქვე შესადარებლად მოყვანილია იგივე ტექნოლოგიით დამზადებული, ნომინალურად სუფთა ბორის კარბიდის კვლევისას მიღებული შედეგები (2014 წ.).

ცხრილი 1

კომპოზიტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები

№	ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები		კომპოზიტების აღნიშვნა			
			ნამზადის ფორმა	BC	BCZ3	BCZ5
1	ფარდობითი სიმკვრივე, %		D	99,2	99,3	97,7
			C	99,7	100,0	99,5
2	მარცვლის ზომა, მკმ	$D_{საშ.}$	D	5,0	4,5	8,0
		$D_{მაქს.}$		21	30	47
		$D_{საშ.}$	C	5,0	5,0	7,0
		$D_{მაქს.}$		17	24	40
3	თგკ, 1/გრად. 10^{-6}/K (773 K)		D	3,94	3,88	3,81
4	თბოგამტარობა, ვტ·მ/K	300 K	C	38,5	37,5	37,5
		1000 K		6,3	11,8	11,7
5	სიმტკიცე ღუნვაზე, მპა		D	486	287	292
6	სიმტკიცე კუმშვაზე, მპა		C	3080	3175	3875
7	მიკროსისალე (ბერკოვიჩი) 1N, გპა	დინამიური	D	14,8	14,9	14,6
		სტატიკური		29,4	29,9	28,2
8	სისალე HV5, გპა		D	27,5	30,1	29,6
9	იუნგის მოდული E, გპა		D	358,5	363,0	366,5
10	ბზარმედეგობა, K_{1C} მპა√მ		D	2,56	2,76	2,37

5	**მაღალტემპერატურული ზეგამტარების კვლევა თერმოდინამიკური მეთოდით მათში სტატიკური სპინური კორელაციების დამზერისა და**	**ფიზ. მათ. მეცნ. კამდიდატი** მ. ნადარეიშვილი	ზ. წაქაძე ი. ახვლედიანი

	შესწავლის მიზნით: მყარი ტანის ექსპერიმენტული ფიზიკა		

მრავალწლიანი კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი შედეგები

1. საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა უნიკალური სიზუსტისა და მგრძნობიარობის დიფერენციალური კალორიმეტრის შექმნა მაღალტემპერა–ტურული ზეგამტარების კვლევებისთვის. საანგარიშო ეტაპის განმავლობაში დამთავრებულია კრიოსტატის აწყობა და გამოცდა; ელექტრონიკის ბლოკის შექმნა და გამოცდა; მიმდინარეობს მართვის პროგრამების დამუშავება და შექმნა.

2. გრძელდებოდა კვლევები (EPR, ი. ახვლედიანი) მაღალტემპერატურულ ზეგამტარებისა ($T > T_c$). აღმოჩნდა, რომ პარამაგნიტური ზონდის (რომელიც დაფენილია $YBa_2 Cu_3 O_{7...\partial}$ ნიმუშზე) ეპრ ხაზის სიგანის ტემპერატურაზე დამოკიდებულება $\Delta H = f(T)$ განიცდის ანომალიას 300-77 K ინტერვალში. ეს დაკავშირებული უნდა იყოს CuO სისტემასთან. იმის მიხედვით, რა მდგომარეობაშია სპილენძი (სინგლეტური თუ ტრიპლეტური) სისტემის T_c იცვლება ≈ 10 K-ით.

6	**1. ნეიტრონების ბირთვული პრეცესია (ბირთვული ფსევდომაგნეტიზმი)**	**ფიზ. მათ. მეცნ. კანდიდატი** **მურმან წულაია**	**მურმან წულაია** კვლევა ტარდება ბირთვულიკვლევების საერთაშორისო გაერთიანებულ ინსტიტუტში (დუბნა, რუსეთი) ი. ფრანკის ნეიტრონული ფიზი-კის ლაბორატორიაში გრძელვადიანი თანამშრომლობის ფარგლებში.

1. ნეიტრონების ბირთვული პრეცესიის ერთ-ერთი მიმართულებაა ნეიტრონების პირველი გვარის პარამაგნიტური რეზონანსი, რომელიც არ დამზერილა. მისი დამზერა კი საშუალებას მოგვცემდა გამოვიკვლიოთ ბირთვული პრეცესიის დამოკიდებულება ნეიტრონების ენერგიაზე. ამისათვის საჭირო იყო ნეიტრონების ფერომაგნიტური რეზონატორების დამუშავება და დამზადება. ჩატარებულია ასეთი რეზონატორების მანქანური გათვლები. ერთი მათგანი, 0,062 ევ ენერგიის ნეიტრონებისთვის, უკვე შექმნილია და გამოცდილი. გამოცდისთვის მზადაა კიდევ სამი რეზონატორი (0,15; 0,60 და 1,3 ევ ნეიტრონებისთვის).
დამუშავებულია პოლარიზებული ბირთვული სამიზნე. იგი (0,2 მმ-ის დისკები) მიიღება ტიტანის ჰიდრიდის ფხვნილის მაღალი წნევის ქვეშ დაწნეხით. მიღებულია 110 ასეთი დისკი და გაზომილია მათი ფიზიკური პარამეტრები.
დანადგარის კომპიუტერული მართვის სრულ პროგრამასთან ერთად დამუშავდა

ექსპერიმენტული შედეგების დამუშავების პროგრამა. მომზადებულია სტატია პუბლიკაციისთვის, რომელიც გადის ექსპერტიზას.

2. 2. ადგილობრივი და საერთაშორისო გრანტებით დაფინანსებული პროექტები.

1. **2013-2015 წ.წ.** (გამოყენებითი) რადიაციულად მდგრადი კონსტრუქციული კერამიკის დამუშავება ექსტრემალურ პირობებში მომუშავე ფრიქციული კვანძებისთვის (საცდელი ნიმუშების შექმნა და გამოცდა)
   სამეცნიერო ხელმძღვანელი: ვ. კვაჭაძე
   შემსრულებლები: ვ. თავხელიძე, ნ. არაბაჯიანი, ა. მიქელაძე, ზ. მესტვირიშვილი, გ. აბრამიშვილი

2. **2014-2017 წ.წ.** (ფუნდამენტური) ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსის აკუსტიკური დეტექტირება მაგნიტოპლასტიკური ეფექტის საფუძველზე
   სამეცნიერო ხელმძღვანელი: დ. დრიაევი
   შემსრულებლები: ს. წაქაძე, ნ. ავალიშვილი, მ. გალუსტაშვილი, ფ. აკოფოვი, ა. გუჩმაზოვი, ვ. მაიერი

3. **2014-2017 წ.წ.** (ფუნდამენტური) დიფერენციალური კალორიმეტრიის განვითარება და მაღალტემპერატურული ზეგამტარების კვლევები
   სამეცნიერო ხელმძღვანელი: მ. ნადარეიშვილი
   შემსრულებლები: ს. წაქაძე

საერთაშორისო:

1. **2014-2017 წ.წ.** (ფუნდამენტური) Development of Acoustic Detection Techniques of Electron Spin Resonanse in Dielectric Crystals
   დამფინანსებელი: Air Force office of Scientific Research (UAS)
   სამეცნიერო ხელმძღვანელი: ს. წაქაძე
   შემსრულებლები: მ. გალუსტაშვილი, დ,დრიაევი, ფ. აკოფოვი, ს. შამეკო

2. **STCU 2014-2017 წ.წ.** Development of radiation resistant structural ceramic materials based on boron carbide enriched in isotope boron-11
   ხელმძღვანელი: ვ. კვაჭაძე

შემსრულებლები: მ. გალუსტაშვილი, ვ თავხელიძე, ნ. არაბაჯიანი, გ. დეკანოზიშვილი, მ. აბრამიშვილი, თ. ყალაბეგიშვილი, ს. შამეკო, ი. ბაირამაშვილი, ჯ. ჯობავა, ა. ღონღაძე, თ. ჯაჯანიძე, ა. მიქელაძე, ო. ცაგარეიშვილი, ლ. ჩხიკვიშვილი, დ. ჩხიკვიშვილი, ნ რეხვიაშვილი, ზ. მესტვირიშვილი, დ. გვენცაძე, ვ. ფანცულაია

3. **STCU-GNSF 2014-2016 წ.წ.** Hydrogen Influence on Mechanical and Magnetic Properties of Metal Alloys
ხელმძღვანელი: ი. რატიშვილი
შემსრულებლები: გ. ჯაფარიძე, ნ. არაბაჯიანი, ვ. თავხელიძე, ნ. ნამორაძე, ვ. ენუქიშვილი, ო. ჩუდაკოვა

II. 3. პუბლიკაციები:

ა) სტატიები უცხოეთში

№	ვტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის / კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	V. Kvatchadze, G. Dekanozishvili, T. Kalabegishvili, M. Abramishvili, M. Galustashvili, V. Tavkhelidze.	"Thermally stimulated luminescennce origin in LiF crystals Irradiated in a reactor at different temperatures." Radiation Effects and Defects in Solids: Incorporating Plasma Science and Plasma Technology	**v. 170** (6) 477-483 (2015).		6
ანოტაცია შესწავლილია რეაქტორში სხვადასხვა ტემპერატურაზე დასხივებული LiF-ის კრისტალების თერმისტიმულირებული ლუმინესცენცია (TSL) და ოპტიკური შთანთქმისა და გამოსხივების სპექტრები. დადგენილია, რომ 470 °C-ზე დამზერილი TSL პიკი გამოწვეულია დისლოკაციებისა და F-ცენტრების ურთიერთქმედებით.					
2	M.M. Nadareishvili, M.G. Abramishvili, V.G. Kvachadze, S.J. Tsakadze.	„Postradiation Accumulation of F4 Centers in Gamma-irradiated LiF Crystals." Международный научно-исследовательский журнал, ISSN 2227-6017	v 9 (40) 79-81 (2015).		3
ანოტაცია					

შესწავლილია F_4 შეღებვის ცენტრების პოსტრადიაციული წარმოქმნა-დაგროვება გამა-დასხივებულ LiF-ის კრისტალებში ($5x10^6R$), მათზე ზომიერი სითბოთი (140-160 ^0C) და მუდმივი ელექტრული ველის (1800-3000 ვ) კომბინირებული ზემოქმედებით.

3	Nadareishvili M.M., Gegechkory T.O., Mamniashvili G.I., Zedginidze T.I, PetriaShvili T.G., Tsakadze C.J.	"Impact of Clasters Ni-B on the Photocatalitic Properties of TiO_2 Nanopowders." Международный научно-исследовательский журнал, ISSN 2227-6017	**v.** 7, 28-30, (2015)		3

ანოტაცია

ნაჩვენებია, რომ Ni-B-ის კლასტერებით დაფარული TiO_2-ის ნანონაწილაკების ზომების სელექტიური შერჩევით შესაძლებელია ამ ფოტოკატალიზატორული ნანოფხვნილების შთანთქმის სპექტრების ცვლილება მათი ეფექტურობის გაზრდის მიზნით.

4	М.В.Галусташвили, Ф.Х. Акопов, Д.Г. Дриаев, В.Г. Квачадзе, С.Д. Цакадзе.	"Воздействие магнитного поля на поляризацию кристаллов LiF при микроиндентировании" **Физика твердого тела**	11 (3) 543-546 (2015).		4

ანოტაცია

შესწავლილია სუსტი მაგნიტური ველის ზეგავლენა ლოკალური დეფორმაციით (ინდენტირებით) გამოწვეული პოლარიზაციისა და დეპოლარიზაციის მოვლენებზე LiF-ის კრისტალებში. ნაჩვენებია თავისუფალი კათიონური ვაკანსიების მნიშვნელოვანი ზრდა მაგნიტური ველის ზეგავლენით.

5	Z. Mestvirishvili, I. Bairamashvili, V. Kvatchadze N. Rekhviashvili	„Thermal and Mechanical Properties of B_4C-ZrB_2 Ceramic Composite". Materials Science and Engineering			

		(მიღებულია დასაბეჭდად)			

ანოტაცია

მიღებულია B_4C-ისა და B_4C-ZrB_2-ის (Zr – 3-5 მას.%) კერამიკები ცხელი დაწნეხის მეთოდით 2050-2140°C ტემპერატურისა და 34-40 მპა წნევის პირობებში. თერმული დამუშავების შემდეგ (1800°C) ჩატარდა მათი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების კვლევა. კერძოდ – ZrB_2-ის გავლენა ნამზადის ფორმირების ტექნოლოგიურ პარამეტრებზე და მიღებული კომპოზიტის თვისებებზე.

6	M.V Galustashvili, M.G. Abramishvili, F. Kh. Akopov, D.G. Driaev, V.G. Kvatchadze and S.D.Tsakadze.	"Magnetoplastic Effect and charge Dislocations in LiF Crystals" Proceedings of The First SDSU – Georgian STEM Workshop on Nanotechnology and Environmetal Sciences. Sept. 2015 Tbilisui, Georgia	(2015).		

ანოტაცია

დადამზერილია და შესწავლილია იდენტირებით ამოძრავებული დამუხტული დისლოკაციების მიერ შექმნილი „შინაგანი" ელექტრული ველის ზეგავლენა მაგნიტოპლასტიკურ ეფექტზე LiF- ის კრისტალებში. შეფასებულია "შინაგანი" ველის დაძაბულობა და დისლოკაციის მუხტის ხაზოვანი სიმკვრივე.

7	Ф.Акопов, А.Гачечиладзе, В.М. Габуния, Д.Г. Дриаев, М.В. Галусташвили, С.Цакадзе	"К вопросу о температурной зависимости магнитной воспри-имчивости субмикронного β-Co в процессе изохронного отжига." **Сборник докладов на 2-ой Международной конференции «Современные технологии и методы неорганического материаловедения» ,**	Грузия, Тбилиси , 20-24 апреля (2015).		

ანოტაცია

დილატაცია პოლიმორფული გარდაქმნებისას სუბმიკრონული კობალტის ფხვნილში წარმოქმნის უფრო მცირე შინაგან ძაბვებს, ვიდრე - შესაბამის კომპოზიტებში, რაც გამოწვეულია ამ სისტემებში სტრუქტურის დამრღვევი მექანიზმების მოქმედებით: თუ კობალტის ფხვნილისთვის ზედაპირ-სორბირებული აიროვანი მინარევების ნაწილაკები გადამწყვეტ როლს თამაშობენ, კომპოზიტში მათთან ერთად მოქმედებენ დარტყმითი ტალღით შექმნილი დეფექტებიც.

8	Z.Akhvlediani, I.Akhvlediani	"DIAGNOSTICS of RADIATION-INDUCED HYDROGEN in AHC". **Proceedings of 2nd** **International Conference** MODERN TECHNOLOGIES AND METHODS OF MATERIALS SCIENCE **Tbilisi, Georgia 20-24 April 2015.**	**pp.267-274 (2015)**		7

ანოტაცია

ნაშრომში ექსპერიმენტულად შესწავლილია მინარევული ჰიდროქსილის იონების რადიოლიზის შედეგად მიღებული წყალბადის პროდუქტების ყოფაქცევა დასხივებულ კრისტალებში. გამოკვლეულია დასხივების პირობებისა და კრისტალის საწყისი მინარევული შემადგენლობის გავლენა კვანძთაშორისი წყალბადის რხევის სიხშირეზე.

9	A.M.Pashaev, O.I.Davarashvili, Z.G.Akhvlediani, M.I.Enukashvili, R.G.Gulyaev, M.A.Dzagania.	Variations of the parameters of PbSe nanolayers with change of their technology. **IOP Conference Series. Materials Science and Engineering**	**v. 77, 012017. (2015)**		

ანოტაცია

დაძაბული PbSe - ფენების საფუძველზე შესრულდა *ოჸ* -დეტექტორებისათვის საჭირო მოლეკულური „ცხელი კედლით" ეპიტაქსიის ოპტიმიზაცია, რათა შექმნილიყო ფენები, რომელშიც შერწყმული იქნებოდა დიდი სიდიდის ნარჩენი დეფორმაცია და სისქე. ფენების მახასიათებლების შესწავლით (მესერის ტანგენციალური მუდმივა, სისქე, დეფორმაცია და რენტგენის დიფრაქციის ხაზის სიგანე) დადგინდა ფენების ზრდის საუკეთესო პირობები.

10	Nadareishvili M.M., Gegechkory T.O., Mamniashvili G.I., Zedginidze T.I, PetriaShvili T.G	"Study of Changing the Absorption Spectra of Photocatalytic TiO_2 Nanopowders with the Aim of Improving Their Efficiency." საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის, თანამედროვე მასალები და ტექნოლოგიები (SCAMT 2015) შრომების კრებული, 21-23 ოქტომბერი, 2015, თბილისი, საქართველო,			

ანოტაცია

შესწავლილია TiO_2 ფოტოკატალიტური ფხვნილების შთანთქმის სპექტრების ცვლილების შესაძლებლობა მზის ენერგიის უფრო ეფექტურად გამოყენების მიზნით, რაც მიიღწევა TiO_2-ის ნანონაწილაკების ზადაპირების კიდევ უფრო მცირე ზომის კლასტერებით დაფარვის ორიგინალური, დაბალტემპერატურული (50^0-60^0)C, ნანოტექნოლოგიით.

11	A.M.Pashaev, O.I.Davarashvili, M.I.Enukashvili, Z.G.Akhvlediani, L.P.Bychkova, M.A.Dzagania, V.P.Zlomanov**.**	Analysis of the absorption spectra of epitaxial lead telluride and lead selenide layers .**International Journal of Engineering and Innovative Technology (IJEIT)**	**v4, N 11, 193-198, (2015).**		5

ანოტაცია

PbTe და PbSe ეპიტაქსიალური (ე.წ. „ცხელი კედლის“ მეთოდით მიღებული) ფენების ოპტიკური გამჭვირვალობის სპექტრების დამუშავებისა და ანალიზის შედეგად თანმიმდევრულად იყო მიღებული გარდატეხის მაჩვენებელი, შთანთქმისა და არეკვლის კოეფიციენტები. შთანთქმის კოეფიციენტების კვადრატების გაწრფივების მეთოდის გამოყენებით შესაძლებელი გახდა აკრძალული ზონის სიგანის დადგენა დაჭიმულ ფენებში.

ბ) სტატიები ადგილობრივ გამოცემებში

№	ვტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის / კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
12	А.М.Пашаев, О.И.Даварашвили, **З.Г.Ахвледиани**, М.И.Енукашвили, Л.П.Бычкова, М.А.Дзагания , В.П.Зломанов.	Моделирование спектров оптического поглощения напряженных эпитаксиальных слоев селенида свинца. **Известия НАН Грузии,**	**41, 1-2, 69-76 (2015)**		8

ანოტაცია

ნაშრომში წარმოდგენილია ენერგეტიკული სპექტრისა და მუხტის გადამტანთა გაბნევის პარამეტრების მოდელირებისა და შესწავლის მცდელობაა ექსპერიმენტულ მონაცემებზე დაყრდნობით . დამატებითი შთანთქმის დონე უახლოვდება სიდიდეს, რომელიც არის ≈1მკმ სისქის ფენებში. ეს ნიშნავს იმას, რომ ფენის სისქის შემცირებისას დამატებითი შთანთქმა არ არის დამოკიდებული მზარდ დეფექტიანობაზე, როგორც ეს ვლინდება მუხტის გადამტანთა შემთხვევაში. ეს უკანასკნელი მცირდება ერთი რიგით, როდესაც

ფენის სისქე მცირდება 1 მკმ-დან 180 ნმ-მდე.					
13	A. M. Pashaev, O. I. Davarashvili, M. I. Enukashvili, Z. G Akhvlediani, L. P. Bychkova, V. P. Zlomanov .	"Control of the forbidden gap width by varying the composition or the thickness of the layers of IV-VI semiconductors. " **Nano Studies**	v. **12, 5-10.** (2015)		6
ანოტაცია შრომა ეძღვნება $PbS_{1-x}Se_x$ და $Pb_{1-x}Sn_xTe$ მყარი ხსნარების და დაძაბული PbTe და PbSe -ის მესერის მუდმივასა და ოპტიკური გამჭვირვალობის სპექტრების კვლევას. კვლევის მიზანია მოიძებნოს სხვადასხვა შემადგენლობის მყარი ხსნარების ფენების და დაძაბული ნახევარგამტარების აკრძალული ზონის სიგანეთა შესაძლო სპექტრალური გადაფარვა.					
14	A. M. Pashaev , O. I. Davarashvili , M. I. Enukashvili , Z. G Akhvlediani, L. P. Bychkova , V. P. Zlomanov.	"INVESTIGATION OF THE OPTICAL ABSORPTION SPECTRA OF THIN EPITAXIAL LEAD SELENIDE LAYERS APPROACHING THE NANOSCALE THICKNESS" . **Nano Studies**	**(2015) 11, 27-34**		
ანოტაცია PbSe-ის ნანოსკალასთან მიახლოებული სხვადასხვა სისქის ფენების ოპტიკური შთანთქმის სპექტრების ზედმიწევნით ფაქიზი დამუშავებით დადგინდა დამატებითი შთანთქმის არსებობა ყველა ფენისთვის. ეს შთანთქმა არის შთანთქმის კიდესა და თავისუფალ დენის გადამტანთა შთანთქმას შორის და იზრდება ტალღის სიგრძის ზრდასთან ერთად. ექსპერიმენტულად მიღებული გამჭვირვალობის სპექტრით შთანთქმის სპექტრის აგებისას მათი დამუშავების კრიტერიუმები გაძლიერებული იყო შთანთქმის შეფარდების განხილვით დენის გადამტანთა მცირე და მაღალი კონცენტრაციების მქონე ფენებისათვის , საიდანაც განიხილებოდა შთანთქმის დონე იმ გადასვლებისათვის, რომელიც შთანთქმის კიდესთან არიან დაკავშირებული.					

გამოსაქვეყნებლად გაგზავნილი სტატიები:

15	A.M. Pashaev, O.I.Davarashvili, M.I.Enukashvili, Z.G.Akhvlediani, L.P.Bychkova,	. Optical transmission spectra of epitaxial layers of PbSSe and PbSnTeand their analysis. **International Journal of Engineering and Innovative**	(2015)		

	M.A.Dzagania	**Technologies (IJEIT).**			
16	А.М. Пашаев, О.И.Даварашвили, М.И.Енукашвили, З.Г.Ахвледиани, Л.П.Бычкова, М.А.Дзагания, В.П.Зломанов	Оптимизация экспериментальных условий для достижения высоких деформаций в эпитаксиальных слоях полупроводников $A^{IV}B^{VI}$ **Известия НАН Грузии .**	(2015)		
17	A.M.Pashaev, O.I.Davarashvili, M.I.Enukashvili, Z.G.Akhvlediani,M.A. Dzagania**,** V.P**.** Zlomanov.	Different approaches of treatment of optical spectra of IV-VI semiconductors. **International Journal of Engineering and Innovative Technologies (IJEIT)**	(2015)		
18	A.M.Pashaev, O.I.Davarashvili, M.I.Enukashvili, **Z.G.Akhvlediani**, L.P.Bychkova, V.P.Zlomanov.	Investigation of optical spectra of thin epitaxial layers of lead selenide. **Bulletin of Georgian Academy of Science.**	(2015)		
19	А.М. Пашаев, О.И.Даварашвили, М.И.Енукашвили, З.Г.Ахвледиани, Л.П.Бычкова, В.П.Зломанов.	Выявление дополнительного поглощения в оптических спектрахолупроводниковых слоев $A^{IV}B^{VI}$. **Известия НАН Грузии .**	(2015)		

2.3. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	M.V Galustashvili, M.G. Abramishvili, F. Kh. Akopov, D.G. Driaev, V.G. Kvatchadze and S.D.Tsakadze.	Magnetoplastic Effect and Charge Dislocations in LiF Crystals	The First SDSU – Georgian STEM Workshop on Nanotechnology and Environmetal Sciences. Sept.5, 2015; Tbilisui, Georgia.
მოხსენების ანოტაცია დამზერილია და შესწავლილია იდენტირებით ამოძრავებული დამუხტული დისლოკაციების მიე შექმნილი „შინაგანი“ ელექტრული ველის ზეგავლენა			

მაგნიტოპლასტიკურ ეფექტზე LiF- ის კრისტალებში. შეფასებულია "შინაგანი" ველის დაძაბულობა და დისლოკაციის მუხტის ხაზოვან სიმკვრივე.			
2	Ф.Акопов, А.Гачечиладзе, В.М. Габуния, Д.Г. Дриаев, М.В. Галусташвили, С.Цакадзе.	К вопросу о температурной зависимости магнитной восприимчивости субмикронного β-Co в процессе изохронного отжига.	2-ая Международная конференция Современные технологии и методы неорганического материаловедения, 20-24 апреля, 2015; Грузия, Тбилиси .
მოხსენების ანოტაცია დილატაცია პოლიმორფული გარდაქმნებისას სუბმიკრონული კობალტის ფხვნილში წარმოქმნის უფრო მცირე შინაგან ძაბვებს, ვიდრე - შესაბამის კომპოზიტებში, რაც გამოწვეულია ამ სისტემებში სტრუქტურის დამრღვევი მექანიზმების მოქმედებით.			
1	Z.Akhvlediani, I.Akhvlediani	DIAGNOSTICS of RADIATION-INDUCED HYDROGEN in AHC.	2nd International Conference MODERN TECHNOLOGIES AND METHODS OF MATERIALS SCIENCE (2015) Tbilisi, Georgia 20-24 April 2015.
მოხსენების ანოტაცია ნაშრომში ექსპერიმენტულად შესწავლილია მინარევული ჰიდროქსილის იონების რადიოლიზის შედეგად მიღებული წყალბადის პროდუქტების ყოფაქცევა დასხივებულ კრისტალებში. გამოკვლეულია დასხივების პირობებისა და კრისტალის საწყისი მინარევული შემადგენლობის გავლენა კვანძთაშორისი წყალბადის რხევის სიხშირეზე.			
2	V. Kvatchadze, V. Gritsyna, M. Abramishvili, Z. Akhvlediani, M. Galustashvili, G. Dekanozishvili, T. Kalabegishvili, V. Tavkhelidze	Electronic Processes in Magnesium Aluminates Spinel Ceramics at Gamma and Neutron Irradiation (abstracts).	18th International Conference on Radiation Effects in Insulators (REI-18); 26th to 31st October, 2015; Jaipur, Rajasthan, India (poster).

მოხსენების ანოტაცია შრომაში წარმოდგენილია რადიაციულად მაღალი მდგრადობის კერამიკული შპინელის ($MgAl_2O_4$) კომპლექსური კვლევის შედეგები (პარამაგნიტური და ხილულ და ინფრაწითელ უბანში ოპტიკური შთანთქმის სპექტრები, თერმო- და X-სხივებით სტიმულირებული ლუმინისცენცია) „სუფთა“ გამა და შერეული ნეიტრონ-გამა დასხივების შემდეგ.			
1	Z.Akhvlediani, I.Akhvlediani, T.Kalabegishvili, V.Kvatchadze, I.Nanobashvili, S.Nanobashvili.	Combined Action of Radiation and Mechanical Load on LiF:OH (abstracts).	18th International Conference on Radiation Effects in Insulators (REI-18); 26th to 31st October, 2015; Jaipur, Rajasthan, India (oral) – *არ განხორციელებულა ზ. ახვლედიანის დაუფინანსებულობის გამო.*
მოხსენების ანოტაცია შრომაში გრძელდებოდა რადიაციით ინდუცირებული წყალბადური დეფექტების კვლევა ჰიდროქსილის შემცველ ლითიუმის ფტორიდის კრისტალებში (SPECORD-75IR და VERTEX-70). ნიმუშებში, რომელიც იმყოფებოდნენ რადიაციისა და მექანიკური დატვირთვის ერთდროული ზემოქმედების ქვეშ, კვანძთაშორისი წყალბადის იონების რხევის სიხშირე უფრო მაღალია, ვიდრე მეორე ჯგუფის ნიმუშებში, რომელიც სხივდებოდა რადიაციის იმავე დოზით, მაგრამ მექანიკური დატვირთვის გარეშე.			
2	Nadareishvili M.M., Gegechkory T.O., Mamniashvili G.I., Zedginidze T.I, PetriaShvili T.G.,	Study of Changing the Absorption Spectra of Photocatalytic TiO_2 Nanopowders with the Aim of Improving Their Efficiency,	საერთაშორისო კონფერენცია თანამედროვე მასალები და ტექნოლოგიები (SCAMT 2015), 21-23 ოქტომბერი, 2015, Tbilisi,
მოხსენების ანოტაცია შესწავლილია TiO_2 ფოტოკატალიტური ფხვნილების შთანთქმის სპექტრების ცვლილების შესაძლებლობა ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტში დამუშავებული ორიგინალური ნანოტექნოლოგიის საშუალებით.			

3. ზეგამტარი მასალების თვისებების კვლევა

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	$Bi_{1.7}Pb_{0.3}Sr_2Ca_{(n-1)}Cu_nO_y$ სისტემის მაღალტემპერატურული ზეგამტარი კერამიკის ტექნოლოგიის დამუშავება ამორფული და მინაკრისტალური პრეკუსორების ბაზაზე და ამ ტექნოლოგიით სინთეზირებული ნიმუშების ზეგამტარი თვისებების შესწავლა ფიზიკა	ფიზ. მათ. მენიერებათა დოქტორი ჯაბა ჩიღვინაძე	საბირ აშიმოვი თეიმურაზ მაჩაიძე ომარ მაღრაძე გიორგი დონაძე გია დვალი.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები

ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტში ზეგამტარობის და ზედენადობის ლაბორატორიაში შეისწავლება Bi-Pb-Sr-Ca-Cu-O სისტემების ბაზაზე სინთეზირებული მაღალტემპერატურული ზეგამტარი ჰომოლოგიურ რიგის ნაერთები, რომელიც აღიწერება საერთო ფორმულით $Bi_{1.7}Pb_{0.3}Sr_2Ca_{(n-1)}Cu_nO_y$ (n=1-დან 40-მდე). წინა წლებში ჩვენს მიერ დეტალურად შესწავლილია ამ რიგის n=1-დან n=9 ჩათვლით ახალი ტექნოლოგიით სინთეზირებული მაღალტემპერატურული ზეგამტარების (მტზ) ნიმუშები.

2015 წელს დაგეგმილი იყო $Bi_{1.7}Pb_{0.3}Sr_2Ca_{(n-1)}Cu_nO_y$ სისტემის n=15 და n=20 ნიმუშების ზეგამტარი კრიტიკული მახასიათებლების და თვისებების შესწავლა.

ამისათვის სპეციალურად დამუშავებულია მტზ მზის ენერგიით გადნობისა და ნადნობის ზესწრაფი გაცივების ტექნოლოგია. ამ ტექნოლოგიის გამოყენებით მიღებულია ახალი მტზ ფაზები, რომელთა T_c უფრო მაღალია, ვიდრე სტანდარტული მყარფაზოვანი რეაქციით სინთეზირებულ ნიმუშებს გააჩნიათ. ახალი ტექნოლოგიით სინთეზირებული Bi/Pb 221920 სისტემისათვის მიღებულია ახალი მტზ ფაზა, რომლის T_c=200 K –ის რიგისაა. თუმცა ამ ახალი ფაზის კონცენტრაცია იმდენად მცირეა, რომ მისი დამზერა და T_c გაზომვა ზეგამტარობის კვლევის სტანდარტული მეთოდებით შესაძლოა ვერ მოხერხდეს. თუმცა ჩვენ სტანდარტული მეთოდებით ამ ნიმუშების T_c გაზომვას შევეცდებით უახლოეს მომავალში.

2015 წელს შესწავლილ იქნა Bi-Pb-Sr-Ca-Cu-O სისტემების ბაზაზე სინთეზირებული მაღალტემპერატურული ზეგამტარები ჰომოლოგიურ რიგის ნაერთები ($Bi_{1.7}Pb_{0.3}Sr_2Ca_{(n-1)}Cu_nO_y$). კერძოდ გამოკვლეულ იქნა Bi/Pb 221415 და Bi/Pb 221920 სისტემის ნიმუშები. შესწავლილ იქნა აგრეთვე მონოკრისტალურ Rb_3C_{60} ფულერიტების მაგნიტური თვისებები,

შესწავლილ იქნა აგრეთვე C_{60} ფულერიტების მაგნიტური ფაზები და რელაქსაციური პროცესები. მომზადდა სტატია და გაიგზავნა ჟურნალში ”Low temperature

Physics”,(Физика низких температур), იბეჭდება 2016 წლის თებერვლის ნომერში.

3. 2. პუბლიკაციები:

ბ) სტატიები უცხოეთში

№	ვტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის / კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	J. Chigvinadze , V. Buntar , G. Zaikov, S. Ashimov , T. Machaidze , and G. Donadze	“Investigation of magnetic properties of Rb_3C_{60} single crystal fullerene using torque experiments”. Journal of Characterization and Development of Novel Materials,	Volume 7, Number 2 327-332. (2015)	Nova Science Publishers, Inc	6
ანოტაცია ზემგრძნობიარე უკანტაქტო მექანიკური მეთოდიკის გამოყენებით შესწავლილია Rb_3C_{60} ფულერიტის მაგნიტური თვისებები როგორც ზეგამტარ, ასევე ნორმალურ მდგომარეობაში. დადგენილია Rb_3C_{60} ფულერიტის ზეგამტარ მდგომარეობაში გადასვლის კრიტიკული ტემპერატურა (T_c = 28 K) და აბრიკოსოვის გრიგლების პინინგის ძალა. დამზერილია ნორმალურ მდგომარეობაში ფულერიტის კრისტალური მესერის მარტივი კუბური სისტემიდან წახნაგცენტრირებულ კუბურ სისტემაში სტრუქტურული გადასვლა.					
2	Дж. Г. Чигвинадзе, В. Бунтарь, С.М. Ашимов, А.В.Долбин.	.“Магнитные фазы и релаксационные эффекты в фуллерите C_{60}”. Low temperature Physics/Физика низких температур.	т. 42, №2 2016,.		10

ანოტაცია

ზემგრძნობიარე მექანიკური მეთოდიკის გამოყენებით დინამიკურ და სტატიკურ ექპერიმენტებში შესწავლილია ფულერიტების C_{60} (99,98 %) მაგნიტური თვისებები 77-300 K ტემპერატურულ ინტერვალში . დარეგისტრირებულია რხევის ენერგიის შთანთქმის პიკები T = 152, 195, 230 и 260 K ტემპერატურებზე, რაც დაკავშირებულია ფაზურ გადასვლებთან და ფულერიტის მაგნიტური სტრუქტურის რეფორმაციასთან. ოთახის ტემპერატურაზე შესწავლილია მაგნიტური რელაქსაციური პროცესები C_{60} ფულერიტებში. დამზერილია დრეკად ძაფზე დაკიდებული ფულერიტის ნიმუშის ”თვითნებური” მობრუნება გასწვრივი ან პერპენდიკულარული მაგნიტური ველის ჩართვისას. გამოთქმულია მოსაზრება რომ ეს მოვლენები დაკავშირებულია მბრუნავ C_{60} მოლეკულური როტატორების სისტემაში რელაქსაციურ პროცესებთან, აგრეთვე ფულერიტების მიერ ჩაჭერილ მაგნიტურ ნაკადთან და მცირედ მილევად გრიგალურ დენებთან, რომლებიც ინდუცირებულია გარე მაგნიტური ველის მიერ.

.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	“მაგნიტური მოვლენების შესწავლა ახალ ზეგამტარ და მაგნიტურ სისტემებში მაგნეტორეზონანსული, მაგნეტოაკუსტიკური და მაგნეტომეტ–რიის მეთოდებით.” მყარი ტანის ექსპერიმენტული ფიზიკა. 1. მაგნიტური მოვლენების ფიზიკა მაგნიტორეზონანსი, ეპრ, ბმრ, მაგნეტომეტრია); 2. ნანომასშტაბური მოვლენები; 3. მაგნიტური ნანომასალები, ნანოსტრუქტურები.	ალექსანდრე შენგელაია	გრიგორ მამნიაშვილი მიხეილ ზვიადაძე ანატოლი ახალკაცი იური შარიმანოვი სოლომონ მიქელაძე დავით გვენცაძე ზურაბ შერმადინი ტატიანა გეგეჭკორი მედეა ჯანჯალია თინათინ ზედგენიძე თამარ პეტრიაშვილი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

1. თეორიულად და ექსპერიმენტულად დამუშავებულია ერთიმპულსიანი ექოს ვექტორული მოდელი. მომზადდა სტატია.
2. დომენ-აკუსტიკური ექოს (დაე) წარმოქმნის მეთოდიკის დამუშავდა ბმრ-ის სუპერგეტეროდინურ დენურ სპექტრომეტრზე.
